
მთავარი რედაქტორი
ირ. აბაშიძე

მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრები

ე. ანდრონიკაშვილი, ა. აფაქიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბაძრაძე, ვ. ბერიძე, ლ. გაბუნია, ე. გამყრელიძე, თ. გამყრელიძე, ი. გვერდწითელი, პ. გუგუშვილი, რ. დვალი, ს. დურმიშიძე, ი. ვარდოსანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შ. თამაძე, ო. თაძთაძიშვილი, თ. ლოლაძე, დ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, ვ. მერკვილაძე, ვ. მეტრეველი, რ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), შ. ნაფეტვარიძე, გ. ნახუცრიშვილი, ვ. ოკუჯავა, ე. სეხნიაშვილი, დ. სტურუა, ბ. ტეხოვი, ა. ფრანგიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, ა. ჩიქობავა, დ. ჩხიკვიშვილი, გ. ციციშვილი, გ. ძიძარია, ა. ძიძიგური, შ. ძიძიგური, ნ. ჭავჭავაძე, ვ. ჭავჭანიძე, ე. ხარაძე, დ. ხახუტაიშვილი, გ. ჯიბლაძე, ვ. ჯაოშვილი, ს. ჯიქია.

ქართული საჯარო ენციკლოპედია

ჭარმაგი სვიატოშ ნინოკლოველი



სამეცნიერო-ფიზიკური


თბილისი საბჭოთა მწერალი

03
д 279

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР
И. В. АБАШИДЗЕ

ЧЛЕНЫ ГЛАВНОЙ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Э. Л. АНДРОНИКАШВИЛИ, А. М. АПАКИДЗЕ, В. Г. БАКРАДЗЕ, А. Г. БАРАМИДЗЕ, В. В. БЕРИДЗЕ, Я. Л. ВАРДОСАНИДЗЕ (Ответственный секретарь), Л. К. ГАБУНИЯ, Э. П. ГАМКРЕЛИДЗЕ, Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, И. Г. ГВЕРДЦИТЕЛИ, П. В. ГУГУШВИЛИ, Р. Р. ДВАЛИ, В. Ш. ДЖАОШВИЛИ, Г. Н. ДЖИБЛАДЗЕ, С. С. ДЖИКИЯ, Г. А. ДЗИДЗАРИЯ, А. А. ДЗИДЗИГУРИ, Ш. В. ДЗИДЗИГУРИ, С. В. ДУРМИШИДЗЕ, Т. Н. ЛОЛАДЗЕ, Д. О. ЛОРДКИПАНИДЗЕ, К. А. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Г. А. МЕЛИКИШВИЛИ, В. Н. МЕРКВИЛАДЗЕ, В. И. МЕТРЕВЕЛИ, Р. В. МЕТРЕВЕЛИ (Заместитель главного редактора), Ш. Г. НАПЕТВАРИДЗЕ, Г. Ш. НАХУЦРИШВИЛИ, В. М. ОКУДЖАВА, А. С. ПРАНГИШВИЛИ, Е. А. СЕХНИАШВИЛИ, Д. Г. СТУРУА, Ф. Н. ТАВАДЗЕ, О. В. ТАКТАКИШВИЛИ, Б. В. ТЕХОВ, Е. К. ХАРАДЗЕ, Д. А. ХАХУТАИШВИЛИ, Г. В. ЦИЦИШВИЛИ, Н. З. ЧАВЧАВАДЗЕ, В. В. ЧАВЧАНИДЗЕ, А. С. ЧИКОБАВА, Г. С. ЧИТАЯ, Д. И. ЧХИКВИШВИЛИ, А. Г. ШАНИДЗЕ



საბეურნეო ტერიტორია, იხ. სტ. *მეურნეობის საერთაშორისო სისტემა.*

საბეურნეო ანგარიში, ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა სოციალიზმის დროს, საერთო-სახ. მიზნისადმი შრომითი კოლექტივებისა და ამ კოლექტივების მეშვეობით ცალკეული მუშაკების საქმიანობის დაქვემდებარების ფორმა, რ-საც საფუძვლად უდევს საწარმოს (გაერთიანების) მიერ გაწეული ხარჯების შეპირისპირება მიღებული პროდუქციის საზ. ღირებულებასთან ფულადი გამოხატულებით.

ს. ა. მოიცავს შრომითი კოლექტივების სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების მაჩვენებელთა მთელ სისტემას, რ-იც გეგმიან კალაპოტში აქცევს ობიექტურად არსებულ სასაქონლო-ფულად ურთიერთობას. ს. ა. პრაქტიკაში ხორციელდება როგორც სოციალ. მეურნ. გეგმაზომიერი მართვის მეთოდი. მისი არსი ვლინდება საწარმოს შემოსავლისა და ხარჯების შეპირისპირების პროცესში, რ-ის დროს მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული კოლექტივის უკვე გაწეული შრომა საზ. საჭიროებებს. ს. ა. გულისხმობს, რომ კოლექტივმა უნდა დაფაროს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ხარჯები და მიიღოს განსაზღვრული რაოდენობის მოგება.

კოლექტივის მიერ მიღებული წმინდა შემოსავლის (მოგების) განაწილება არის ს. ა-ის ურთიერთობის ღერძი, ერთი მხრივ, კოლექტივსა და სახ-ბას (სახელმწიფოს), ხოლო, მეორე მხრივ, კოლექტივსა და ცალკეულ მუშაკებს შორის. საწარმომ (გაერთიანებამ) პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან, უწინარეს ყოვლისა, მატერ. დანახარჯები და გარე მომსახურების ხარჯები უნდა დაფაროს, რაც უფრო დაბალია მათი ფასი (ტარიფი), მით უფრო მეტია მოცემული საწარმოს მოგება. ფასების გეგმაზომიერი მოწესრიგებით სახელმწიფო აწესრიგებს საწარმოებს შორის წმინდა შემოსავლის დარგთაშორის განაწილებასაც. საწარმომ მიღებული შემოსავლიდან უნდა გასცეს ხელფასი. მაგრამ იმისათვის, რომ ინდივიდები შეკავშირდნენ კოლექტივებად, რ-ებიც ერთობლივი საზ. პროდუქციის განსაზღვრულ ნაწილს ამზადებენ, იმისათვის, რომ ამ ინდივიდთა ინტერესები ერთიმეორეს შეეხამოს, კოლექტიურ ინტერესად იქცეს და მაქსიმ. საზ. ეფექტის მიღების მიზანს დაექვემდებაროს, აუცილებელი ხდება დაინტერესების კოლექტ. ფორმების არსებობა და განვითარება. ამ თვალსაზრისით მოგების მიღების აუცილებლობა უკვე განსაზღვრავს კოლექტივის სურვილს — შეამციროს ყოველგვარი დანახარჯი, დაზოგოს ხელფასის ფონდი. საწარმოს წმინდა შემოსავლის განაწილების მექანიზმი ისეა აგებული, რომ შრომითი კოლექტივი მატერიალურად დაინტერესდეს დანახარჯების შემცირებითა და მოგების ზრდით.

ს. ა-ის თეორიის საწყისები დაამუშავა ვ. ლენინმა. „სახელმწიფო საწარმოთა გადაყვანა ეგრეთწოდებულ სამეურნეო ანგარიშზე გარდაუვალად და განუყრელად დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან და უახლოეს მომავალში ეს ტაიპი გარდუვალად გახდება გაბატონებული, თუ ერთადერთი არა", — წერდა იგი. (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 209).

1960-იანი წწ. შუა ხანებამდე ს. ა. მეტისმეტად იყო რეგლამენტირებული. ეს გარემოება მახ ფორმალურ ხასიათს აძლევდა. შეზღუდული იყო, უწინარეს ყოვლისა, სოციალ. საწარმოების სამეურნეო საქმიანობის უპირველესი პრინციპი — საწარმოს ეკონ. დამოუკიდებლობა. სკკპ ცკ-ის 1965 სექტ. პლენუმის გადაწყვეტილებით, გაფართოვდა საწარმოს ეკონ. დამოუკიდებლობა, მკვეთრად შეიზღუდა ცენტრალიზებულად განსაზღვრული მაჩვენებლების წრე. ს. ა-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი მომენტია სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მუშაობის ხარისხზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ" (1979). დირექტიული მაჩვენებლების სრულყოფას დაუკავშირდა წარმოების ეკონ. წახალისების სისტემის სრულყოფაც. კოლექტივის ეკონ. დაინტერესება შრომის შედეგების გაუმჯობესებით ს. ა-ის მეორე პრინციპია. 60-იანი წწ. შუა ხანებამდე კოლექტივების ეკონ. წახალისების შესაძლებლობები მკვეთრად იყო შეზღუდული. ცკ-ის ზემოაღნიშნული დადგენილებით, ს. ა-ზე გადაყვანილ ორგანოებში იქმნება მუშაკთა მატერ. წახალისების, სოც.-კულტ. ღონისძიებების, საბინაო მშენებლობისა და წარმოების განვითარების ფონდები, რ-თა წარმოქმნა და სიდიდე დამოკიდებულია კოლექტ. შრომითი საქმიანობის შედეგებზე.

წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის წინა პლანზე წამოწევა აღკვეთს პროდუქციის წარმოების მოცულობის მოჩვენებითი ზრდისაკენ სწრაფვას (რასაც ზოგჯერ აღწევდნენ პროდუქციის მასალატევადი სახეების უპირატესი წარმოების ხარჯზე) და იგი უფრო სწორად გვიჩვენებს მოცემული კოლექტივის შრომით წვლილს ერთობლივი პროდუქტის შექმნაში.

ეკონ. დამოუკიდებლობისა და წახალისების ზრდა უკავშირდება ს. ა-ის მესამე პრინციპის განვითარებასაც— კოლექტივის მატერ. პასუხისმგებლობის ამაღლებას საგეგმო დავალებების შესრულებაში, რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში, სხვა კოლექტივებსა, სახელმწ. ბიუჯეტსა და საკრედიტო სისტემასთან დროულ ანგარიშსწორებაში და ა. შ.

ს. ა. გულისხმობს ფასის, მოგების, თვითღირებულებისა და სხვა სასაქონლო-ფულადი კატეგორიების გეგმაზომიერ გამოყენებას. საზ-ბა საწარმოო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ფულადი ფორმით შემოსავლებისა და დანახარჯების დაპირისპირებით, წარმოების მოგების გეგმისა და რენტაბელობის მეშვეობით და ა. შ. ფულადი კონტროლის ყველა ფორმა, რ-იც მანეთით კონტროლით არის ცნობილი, ემსახურება ეკონ. რეჟიმის განხორციელებას.

ს. ა-ის სახღვრების გაფართოება ნიშნავს აგრეთვე მის დანერგვას მატერ. წარმოების ისეთ დარგებშიც, როგორიცაა ტრანსპორტი, მშენებლობა, საგამომცემლო საქმე, სოფ.-მეურნ. (იხ. *სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო ანგარიში*) და ა. შ.

სოციალ. სისტემის სხვა ქვეყნებში ს. ა. იმავე პრინციპებზეა აგებული, რაზეც იგი აგებულია სსრკ-ში, მაგრამ განსხვავებულია ამ პრინციპების განხორციელების ფორმები და მასშტაბები (მაგ., კოლექტივების ეკონ. დამოუკიდებლობის საზღვარი, ცენტრალიზებული გეგმის მაჩვენებლები, სახელმწ. რეგულირებისა და ეკონ. წახალისების ფორმები და სხვ.).

ბ. გველესიანი.

საბეურნეო დანაშაული, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რ-იც არღვევს ნორმალურ სამეურნეო ურთიერთობებს. ზოგჯერ საზიანო შედეგი არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს. მაგ., საქ. სსრ

სისხლის სამართ. კოდექსით სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ სარგებლობა ისჯება შიუხედავად იმისა, მოჰყვა თუ არა მას რაიმე ზიანი (მ. 166). ს. დ. ძირითადად განზრახვით ხდება. ხელყოფის უშუალო ობიექტის მიხედვით ს. დ-ის რამდენიმე ჯგუფს გამოჰყოფენ. პირველ ჯგუფში შედის ისეთი ს. დ., რ-ის ჩადენა სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგშია შესაძლებელი და ზიანს აყენებს მათ. მაგ., წამატება სახელმწ. ანგარიშგებაში და გეგმის შესრულების შესახებ სხვა განზრახ დამახინჯებული საანგარიშგებო მონაცემების წარდგენა (მ. 163[1]); შემდეგ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ქმედობები, რ-ებიც ხელყოფს მრეწვ. სფეროს. მაგ., 160-ე მუხლით ისჯება ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება. შომდეგნო ჯგუფში შედის სოფ. მეურნ. საწინააღმდეგო დანაშაულები. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ *ფალსიფიკაცია* (მ. 162). ცალკე ჯგუფს შეადგენს ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მაგ., *სპეკულაცია* (მ. 165). ს. დ-ია აგრეთვე ისეთი ქმედობა, რ-იც ხელყოფს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების სფეროს. მაგ., 176-ე მუხლით ისჯება მდ-ების, ტბებისა და სხვა წყალსატევების გაბინძურება, 117-ე მუხლით — *უკანონო ნადირობა* (იხ. აგრეთვე *ბრაკონიერობა*) და სხვ. კანონით ს. დ-თვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები, ჯარიმა, თანამდებობიდან დათხოვნა, გარკვეული საქმიანობის ან გარკვეული თანამდებობის დაკავების აკრძალვა. დამატებითი სასჯელის სახით ზოგჯერ კანონი ითვალისწინებს ქონების კონფისკაციასაც (მაგ., მმ. 164; 165; ნაწ. 2).

ო. გამყრელიძე.

სამეურნეო კანონმდებლობა, სსრ კავშირში ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რ-იც განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და ხელმძღვანელობის წესს. ს. კ. მოიცავს არა მარტო სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების კანონებს, არამედ მთავრობისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოთა აქტებსაც. კანონებს შორის სახ. მეურნ. სამართ. რეგულირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძირითად კანონს — კონსტიტუციას, რ-ითაც განსაზღვრულია ჩვენი სახელმწიფოს. ეკონ. სისტემის საფუძვლის — სოციალ. საკუთრების ფორმები და საზ. წარმოების ყველა რგოლის მომცველი ერთიანი სახ.-სამ. კომპლექსი; სსრკისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს, რ-ებიც დამტკიცებულია სსრკ 1961 წ. 8 დეკ. კანონით, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართ. კოდექსებს; განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებები, მაგ., „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ (1969 წ. 28 მაისი); „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ (1973 წ. 2 მარტი); „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და .მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ (1979 ივლ.) და სხვ.; მნიშვნელოვანია აგრეთვე სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტები: ზოგადი დებულება საერთო-საკავშ. და რესპ. სამრეწვ., გაერთიანების შესახებ (1973 წ. 2 მარტი); დებულება საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) შესახებ (1974 წ. 27 მარტი); დებულება საბჭ. მეურნეობების ტრესტის შესახებ (1975 წ. 20 ოქტ.) და სხვ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების გამოშვების უფლება აქვს სახელმწ. ხელისუფლებისა და მმართველობის სხვადასხვა ორგანოსაც. ს. კ-ით რეგულირებულ ურთიერთობათა სუბიექტებია მარტოოდენ სოციალ. ორგანიზაციები.

ნ. წერეთელი.

სამეურნეო რეფორმა, იხ. *ეკონომიკური რეფორმა.*

სამეურნეო საქმიანობის ანალიზი სოციალისტური საწარმოებისა (საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი), სახალხო მეურნეობის ქვედანაყოფების სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ეკონ. ანალიზის ძირითადი ამოცანებია: დასამუშ. გეგმებისა და ნორმატიულების მეცნ. დასაბუთება; გეგმებისა და გეგმური დავალებების შესრულების ყოველმხრივი ობიექტური შესწავლა; საწარმოო რუსურსების გამოყენებისა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება; შიდასამეურნეო რეზერვების გამოვლენა, მათი გამოყენება და სხვ.

ს. ს. ა-ის საგანია საწარმოების, გაერთიანებებისა და სახ. მეურნ. სხვა ქვედანაყოფების ეკონომიკა, რ-იც ყალიბდება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად და აისახება ეკონ. ინფორმაციის სისტემაში.

მრავალმხრივი სამეურნეო საფინანსო საქმიანობის შესწავლა მის სხვადასხვა დონეზე განაპირობებს ს. ს. ა-ის დაყოფის აუცილებლობას ცალკეულ სახეებად. მაგ., შესასწავლი ობიექტის მიხედვით განასხვავებენ მთელი სახ. მეურნ., ეკონ. რ-ნის, მატერ. წარმოების ძირითადი დარგების, საწარმოებისა და სხვ. ს. ს. ა-ს. ანალიზის მიზნის მიხედვით კი მიღებულია მისი დაყოფა შეშდეგნაირად: ანალიზი გეგმებისა და ნორმატიულების ტექ.-ეკონ. დასაბუთებისათვის, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებისა და დამატებითი დავალების შესრულების კონტროლისათვის და სამეურნეო საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასებისათვის. შინაარსის მიხედვით ეკონ. ანალიზი შეიძლება იყოს სრული კომპლ. და თემატური ან ლოკალური. სრული კომპლ. ანალიზი მოიცავს საწარმოო სამ. საქმიანობის ყველა სტადიას დაწყებული წარმოების ორგანიზაციულ-ტექ. დონიდან და დამთავრებული საფინანსო-საკრედიტო საანგარიშსწორებო ურთიერთობით. თემატური ანალიზი იფარგლება რ-იმე ცალკეული საკითხის შესწავლით და განიხილება როგორც კომპლ. ანალიზის შემდგომი გაღრმავება. ეკონ. ანალიზი მისი ჩატარების პერიოდულობის მიხედვით არის ოპერატიული ან მიმდინარე, რეტროსპექტული, პერსპექტიული ან პროგნოზული. ოპერატიული ანალიზი ემყარება მიმდინარე აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებს და ორგანულად ერთვის საწარმოს ოპერატიული მართვის პროცესს. რეტროსპექტული ანალიზი წარმოებს გასული საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით (კვარტალი, წელი, ხუთწლედი) და მთავრდება საწარმოს საქმიანობის ეკონ. შეფასებით ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. პერსპექტიული ანალიზი ტარდება სამეურნეო საქმიანობაში ამა თუ იმ ტენდენციისა და კანონზომიერების გამოვლენისა და განსაზღვრის მიზნით 5, 10 და მეტი წლისათვის და ტარდება უმეტესად ფუნქციური ეკონ. საშსახურის მუშაკთა მიერ. ეკონ. ანალიზი შეიძლება იყოს შიდასამეურნეო (შიდასაქარხნო), მეურნეობათაშორისი, სრული, შერჩევითი და სხვ. შიდასამეურნეო ანალიზი იკვლევს მოცემული საწარმოსა და მისი ქვედანაყოფების სამეურნეო საქმიანობას, განსხვავებით მეურნეობათაშორისი ანალიზისაგან, სადაც ერთი საწარმოს მაჩვენებლები ედარება სხვა საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფისა და გაერთიანებების მაჩვენებლებს.

ეკონ. ანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონ. ინფორმაციის გამოყენებას. ეს ინფორმაცია წარმოადგენს მონაცემთა სისტემას და ახასიათებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ეკონ. ხარეს. ამ სისტემაში განასხვავებენ საგეგმო, ნორმატიულ და საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ინფორმაციას, ოპერატიულ-ტექ. ბუხპალტრული და სტატისტ. აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებს.

საწარმოს მუშაობის ეკონ. ანალიზის ორგანიზაცია მოიცავს გარე და შიდა ანალიზის ჩატარებას. გარე ანალიზს ატარებენ ზემდგომი სამეურნეო მმართველობის ორგანოები; საგეგმო, სტატისტ. საფინანსო და საკრედიტო ორგანოები; სახელმწ. კომიტეტები, საბჭ. საზ. ორგანიზაციები; პრესა; სამეცნ.-კვლ. ინ-ტები და საპროექტო ორგანიზაციები. შიდა ანალიზი წარმოებს საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად მთავარი ეკონომისტის სამსახურის (მსხვილ საწარმოებსა და გაერთიანებებში ეკონ. და ორგანიზაციის ლაბორატორიების), ქ-ნის სამმართველოს ეკონ. და ტექ. განყ-ბების, ბრიგადებსა და სამუშაო ადგილებზე საამჭროებსა და უბნის ხელმძღვანელობის მიერ. ეკონ. ანალიზის ჩატარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოს საზ. ორგანიზაციები.

ეკონ. ანალიზში გამოიყოფა ანალიზური მუშაობის ჩატარების მრავალი ეტაპი. ანალიზი იწყება პროგრამის შედგენით, რ-იც განისაზღვრება ანალიზის მიზნითა და შედეგების პრაქტ. გამოყენებით, შემდეგ, წარმოებს საწყისი ინფორმაციის შერჩევა და შემოწმება მისი უტყუარობისა და ცალკეული საგეგმო და საანგარიშგებო მაჩვენებლების ურთიერთკავშირის დადგენის თვალსაზრისით. შემდგომ მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე წარმოებს მაჩვენებელთა შერჩევა და გაანგარიშება, აგრეთვე მათი ანალიზური დამუშავება და შედარება. ეს ეტაპი ძირითადად მოიცავს საანალიზო მაჩვენებლებზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის განსაზღვრას და მათ რაოდენობრივ გაზომვას, ამ ფაქტორთა მიზეზობრივი ურთიერთკავშირის გამოვლენას და საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის რეზერვების განსაზღრას. დასკვნით ეტაპზე წარმოებს ანალიზის შედეგების განზოგადება და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების კრებსითი გაანგარიშება, ხორციელდება მისი შედეგების რეალიზაციაზე კონტროლი, მუშავდება რეკომენდაციები საწარმოს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის.

ლიტ.: Анализ хозяйственно-финансовой деятельности предприятий и объединений, под ред. В. И. Рыбина, М., 1980; Баканов М. И., Кашаев А. Н., Шеремет А. Д., Экономический анализ. Теория, история, современное состояние, перспективы, М., 1976; Курс анализа хозяйственной деятельности, под ред. С. К. Татура и А. Д. Шеремета, М., 1974; Курс экономического анализа, под ред. М. И. Баканова, А. Д. Шеремета и др., М., 1978; Экономический анализ деятельности предприятий и объединений, под ред. С. Б. Барнгольц и Г. М. Тация, М., 1975; Экономический анализ хозяйственной деятельности, под ред. А. Д. Шеремета, М., 1979.

ვ. ჭაია.

სამეურნეო წელი, წელიწადი, რ-ის მიხედვითაც ხორციელდება საწარმოების, გაერთიანებების თუ მთელი სახალხო მეურნეობის საქმიანობის ანგარიშგება ან დაგეგმვა. იგი შეიძლება არ დაემთხვეს კალენდარულ წელს თავისი საწყისი და ბოლო თარიღებით. მაგ., 1921—30 წლებში სსრკ-ში ს. წ-ს ითვლიდნენ 1 ოქტ-იდან მომდევნო კალენდარული წლის 1 ოქტ-მდე. მეცხოველეობაში 1953—57 წლებშიც ასევე ხდებოდა ს. წ-ის ათვლა.

სამეურნეო ხელშეკრულება, იხ. *ხელშეკრულება სამეურნეო.*

სამეფო აზნაური, მეფის უშუალო ვასალი ფეოდალი შუა საუკუნეების საქართველოში.

ადრინდ. ფეოდალურ ხანაში ს. ა-ებში შედიოდნენ მთლიანად ფეოდ. კლასის წარმომადგენლები, XI ს-იდან — მისი დაბალი წოდების წარმომადგენლები. მეფე, გარდა თავისი უშუალო ყმა-ვასალებისა, ს. ა-ებისა, უმაღლესი სენიორი იყო ქვეყნის ყველა ფეოდალის (როგორც სასულიერო, ისე საერო). ის თავის ვასალებად თვლიდა აგრეთვე სათავადო და საეკლესიო აზნაურებს (მეფის ვასალის ვასალი მისი ვასალიც იყო). ს. ა-ები რაოდენობრივად აღემატებოდნენ საეკლესიო და სათავადო აზნაურებს (განსაკუთრებით ეს ითქმის კახეთზე).

ს. ა-ების სოც.-ეკონ. მდგომარეობა, აღზევება-დამცროება, სამეფო ხელისუფლების სიძლიერეზე და მთლიანად ქვეყნის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. მეფის გაძლიერებასა და ქვეყნის აღორძინებასთან ერთად ძლიერდებოდნენ და წინაურდებოდნენ ს. ა-ებიც (XII ს., XVII ს. II ნახ. — XVIII ს. I მეოთხედი; XVIII ს. II ნახ.); სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის დაცემა-დაკნინების ხანაში ს. ა-ებიც სუსტდებოდნენ და ეძებდნენ მფარველობას დიდ ფეოდალებთან (XIII — XVI სს.; XVIII ს. II მეოთხედი).

ს. ა-ს დაწინაურების უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა (დიდი სამოხელეო პატივისა და ყმა-მამულის მიღების გზით), ვიდრე სათავადო და საეკლესიო აზნაურს. ამის გამო ზოგი ს. ა. XVII—XVIII სს-ში თავისი სიძლიერით თავადს არ ჩამოუვარდებოდა (სააკაძე, შანშიაშვილი, გაბაშვილი, თურქისტანიშვილი, ყორღანაშვილი და სხვ.). ს. ა-თა რიგების შევსება ხდებოდა მეფის მიერ სათავადო და საეკლესიო აზნაურების გადმობირებით, სხვა სამეფო-სამთავროებიდან მოსულ აზნაურთა შეფარებით და გლეხების გააზნაურებით. განსაკუთრებით ფართო ღონისძიებები ჩაატარა ს. ა-თა რაოდენობის გასაზრდელად ერეკლე II-მ. 1783 ტრაქტატზე დართული სიის მიხედვით, იმდროინდელ ქართლში ყოფილა 82 ს. ა-ის სახლი, ხოლო კახეთში — 36 აზნაური.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს ს. ა. ჩაირიცხნენ სახაზინო უწყებაში და თავადებთან ერთად რუს. „დვორიანსტვოს" გაუთანასწორდნენ.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2—3, თბ., 1965—70. *ლიტ.:* აკოფაშვილი გ., სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა), თბ., 1965; მისივე, აზნაურთა ფენა XV—XVIII სს. კახეთში, «მაცნე», 1968, № 3; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1, ტფ., 1928; წგნ. 2, ნაკ.1—2, თბ., 1928—29; ჯამბურია გ., სათავადოთა საკითხისათვის, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგნ. 1. თბ., 1970. *ნ. შოშიაშვილი.*

სამეფო საზოგადოება, წამყვანი სამეცნიერო ცენტრის სახელწოდება მთელ რიგ ქვეყნებში (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ახალი ზელანდია, სამხრ.-აფრ. რესპუბლიკა და სხვ.). ხშირად ეკისრება მეცნ აკად. ფუნქციები. უძველესია დიდი ბრიტანეთის *სამეფო საზოგადოება.*

სამეფო საზოგადოება ლონდონისა (The Royal Society), დიდი ბრიტანეთის წამყვანი სამეცნიერო ცენტრი. შეიქმნა 1660, სამეფო ქარტიით დამტკიცდა 1662. თვითმმართველი კერძო ორგანიზაციაა. ფორმალურად არ უკავშირდება სახელმწ. სამეცნ. დაწესებულებებს, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიდ ბრიტანეთში სამეცნ. კვლევის ორგანიზაციასა და განვითარებაში., სათათბირო ორგანოს როლი აკისრია სამეცნ. პოლიტიკის უმთავრეს საკითხთა გადაწყვეტაში. გამოდის მეცნ. ეროვნ. აკად. ფუნქციით საერთაშ. არასამთავრობო სამეცნ. ასოციაციებში და სხვ.; ეროვნ. მეცნ. განვითარებაზე გავლენას ახდენს თავისი წევრების მეშვეობით, რ-ებიც სხვადასხვა სამეცნ. ცენტრში მუშაობენ. უმაღლესი ორგანოა საზ-ბის საბჭო, რ-იც ადგენს სამუშაო კომიტეტებსა და კომისიებს. საზ-ბას თავისი კვლევითი ბაზა არ გააჩნია (არქივების, ინდ. ოკეანეში სამეცნ.-კვლ. სადგურისა და საზ-ბის მიერ მოწყობილი გეოგრ. და ბიოლ. ექსპედიციების ქონების გარდა). ტრადიციულად საზ-ბის საქმიანობა უმთავრესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფუნდამენტურ გამოკვლევებს მოიცავს, მაგრამ XX ს. 60-იანი წლებიდან იზრდება მისი ჰუმანიტარული ინტერესები. საზ-ბამ დაიწყო განათლების ინვლ. სისტემის კვლევა და მისი სრულყოფის გზათა ძიება; შექმნა მრეწვ. კვლევითი კომიტეტი, საკოორდინაციო კომისიები სამედ. ხელსაწყოთმშენებლობის, კომუნიკაციის არამეტყველებითი საშუალებების, ზღვის გარემოს გაჭუჭყიანების, პლანეტოლოგიისა და სხვ. დარგებში.

1983 საზ-ბის შემადგენლობაში იყო 887 ეროვნული წევრი (მ. შ. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი პ. კაპიცა) და 70 საზღვარგარეთელი წევრი (13 ქვეყნიდან, მ. შ. სსრკ-იდან: ვ. ამბარცუმიანი, ი. ვინოგრადოვი, ა. კოლმოგოროვი, ა. ნესმეიანოვი, ნ. სემიონოვი); საზ-ბის შემადგენლობაში იყო 28 ნობელის პრემიის ლაურეატი. საზ-ბას აფინანსებენ საპარლამენტო სუბსიდიებიდან (დაახლ. 0,5 მლნ. ფუნტი სტერლინგი წელიწადში), საწევრო გადასახადებისა და გაყიდული სამეცნ. შრომების ხარჯზე და სხვ. მისი გამოცემებია ჟურნალები „Phylosophical Transactions" (1665-იდან) და „Proceedings of The Royal Society" (1800-იდან).

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო კვლევის ორგანიზაციისა და ჩატარების მიზნით საგანგებოდ შექმნილი დაწესებულებები. ტერმ. „ინსტიტუტი" სამეცნ. დაწესებულების აღსანიშნავად პირველად იხმარეს *საფრანგეთის ინსტიტუტის* სახელწოდებისათვის 1795. თანამედროვე გაგებით ს.-კ. ი-ის დაარსების აუცილებლობა გაპირობებული იყო XIX—XX სს მიჯნაზე მეცნ. ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პრობლემებით, რ-თა გადაწყვეტა მოითხოვდა სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა კოლექტ. შრომას. ს.-კ. ი-ში შესაძლებელი გახდა მკვლევართა ღრმა სპეციალიზაცია, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა თანამშრომლობა. დღეს იგი სამეცნ. მუშაობის ორგანიზაციის უპირატესი ფორმაა.

კაპიტალ. ქვეყნებში არსებობს ს.-კ. ი-ის რამდენიმე ტიპი: სახელმწიფო, კერძო, შერეული და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებთან არსებული.

სსრკ-ში ს. კ. ი-ს სახელმწიფო აფინანსებს. მათი მუშაობა გათვალისწინებულია სახელმწ. გეგმით. შექმნილია სსრკ მეცნ. აკად., სსრკ დარგობრივი აკადემიებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნ. აკადემიების, საკავშ. და რესპ. სამინისტროებისა და უწყებების ზოგადსამეცნ. და დარგობრივი ს.-კ. ი-ის ფართო ქსელი. სამეცნ. საქმიანობის სახ. მეურნეობაზე ზემოქმედების გაძლიერების შედეგად შეიქმნა მეცნ. და წარმოების კავშირის ახ. ფორმა — სამეცნ.-საწარმოო გაერთიანებები, სადაც ს.-კ. ი. წამყვან როლს თამაშობს.

ბოლო წლებში მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა ახ. ტიპის ს.-კ. ი., სადაც მუშაობენ მაღალკვალიფიციური ექსპერტები, ხოლო კონკრ. გამოკვლევებისათვის იწვევენ სპეციალისტებს ხელშეკრულებებითა და კონტრაქტებით.

ს.-კ. ი-ის ტიპის დაწესებულებები არსებობს ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს, იუნესკოსა და სხვა საერთაშ. ორგანიზაციებთან.

სამეცნიერო-კვლევითი კინო, სამეცნიერო კინოს ერთ-ერთი სახე, რ-იც მეცნიერებაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ღებულობს კინოდოკუმენტაციას და ატარებს კინოგამოკვლევას. სამეცნ. კინოდოკუმენტაცია (გეოგრ. და ეთნოგრ. ექსპედიციების, საცდელი ცხოველების ქცევის, ქირურგიული ოპერაციებისა და სხვ. გადაღება) საბოლოო მიზნად ისახავს შესწავლილი ობიექტებისა და პროცესების ეკრანზე ჩვენებას ისე, როგორც ამას ადამიანი აღიქვამს უშუალო დაკვირვების დროს. კინოგადაღება მიმდინარეობს სტანდ. სიხშირით, რ-იც უდრის კინოპროექციის სიხშირეს, ჩვეულებრივი კინოგადამღები აპარატურის მეშვეობით და ჩვეულებრივ ფირზე. კვლევითი გადაღების დროს კი გამოიყენება სპეც. გადამღები აპარატები და კინოფირები, სხვადასხვა ტექ. ხერხი და საშუალება, რაც შესაძლებლობას იძლევა ფილმში აისახოს ის ობიექტები, მოვლენები თუ პროცესები, რ-ებიც ადამიანის თვალისათვის მიუწვდომელია მისი შეზღუდული მგრძნობიარობის, ანდა დაკვირვებაზე ხელისშემშლელი მიზეზების გამო. თვალით უხილავ, მცირე ზომის ობიექტებს (მაგ., ბაქტერიები) იღებენ მიკროკინოგადაღების მეთოდით ოპტიკური ან ელექტრომიკროსკოპის საშუალებით. ტელეკინოგადაღების მეთოდით, რომელიც ემყარება გრძელფოკუსიანი ობიექტივის (ე. წ. ტელეობიექტივი) გამოყენებას, იკვლევენ მოვლენებს შორ მანძილზე. ამ მეთოდის ანალოგიურია ასტროკინოგადაღების მეთოდი (მთვარის, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის, ვარსკვლავებიანი ცის კინოგადაღება), მცირე კონტრასტულობის, ან არასაკმარისი სიმკვრივის გამო უხილავი ობიექტების კინოგამოკვლევა ტარდება სპეც. ოპტიკური და ელექტრონულოპტიკური მეთოდებით, რაც უზრუნველყოფს გამოსახულების კონტრასტულობის გაძლიერებას და სიმკვრივის ამაღლებას, როდესაც გამოკვლევა ტარდება სპექტრის უხილავი სხივებით (მაგ., ულტრაიისფერი და ინფრაწითელი), მაშინ კინოგადაღება ხდება სპეც, ამ სხივების მიმართ მგრძნობიარე კინოფირზე. მოვლენები და პროცესები, რ-ებიც უხილავია მეტად დიდი ან მეტად მცირე სიჩქარის გამო (მაგ., გასროლილი ტყვია, სწრაფი ქიმ. რეაქციები, მცენარის ზრდა, კრისტალების ჩამოყალიბება) გამოიკვლევა ზემაღალი სიჩქარის, ან პირიქით, შენელებული და ცეიტრაფერული კინოგადაღების მეთოდით. ამ მეთოდებით გადაღებული ფილმების პროექციას, კინოპროექციის სტანდ. სიხშირისა და კინოგადაღების ამაღლებული, ან შესუსტებული სიხშირის ურთიერთდამოკიდებულებაზე დაყრდნობით, ეკრანზე დანახული კვლევითი მოვლენების მიმდინარეობა შესაბამისად ნელდება ან ჩქარდება, რაც ქმნის მათზე დაკვირვების ხელსაყრელ პირობებს. ს.-კ. კ. იყენებს კინოგადაღების სხვა მეთოდებსა და ხერხებსაც, მაგ., რენტგენის სხივებს, სტერეოსკოპულს, პოლოგრაფიულს და სხვ. თანამედროვე კინოტექნიკა და კინოფოტომასალა საშუალებას იძლევა გადაღებულ იქნას კინოკადრები, რ-ებსაც ექნება ურთიერთგანსხვავებული სიმკვრივე, მასშტაბი, სიდიდე, სპექტრული შედგენილობა და ა. შ. და სხვადასხვა პირობებში (მიწის ქვეშ, კოსმ. სივრცეში, წყლის ქვეშ და სხვ.). კადრების ცვლის სხვადასხვა სიხშირით — 1 კადრიდან დღე-ღამეში 1 მლრდ. კადრამდე წამში. დოკუმენტური და კვლევითი გადაღებების შედეგებს ანალიზებენ თვისებრივად (ფილმების ეკრანზე ჩვენება). ან იკვლევენ ანალიტურად — ფილმის კადრების თანამიმდევრობის მიხედვით შესასწავლი ობიექტების გამოსახულების გაზომვის გზით.

სამეცნ.-კვლ. ფილმებს იყენებენ სამეცნ.-კვლ. ინ-ტებსა და იმ ორგანიზაციებში, სადაც შექმნილია სპეც. კინოლაბორატორიები. ს.-კ. კ-ს ხერხებით გადაღებული

მასალები გამოიყენება სასწ. და სამეცნ.-პოპულარული ფილმების შექმნის დროს.

ლიტ.: Кудряшов Н. Н., Киносъемка в науке и технике, М., 1960; Преображенский С. Н., Кино как метод научного исследования, М., 1948.

გ. ჟვანია.

სამეცნიერო-პოპულარული კინო, სამეცნიერო კინოს ერთ-ერთი სახეობა. მოიცავს სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ფილმებს, გამიზნულია მაყურებელთა ფართო წრეებისათვის. ს.-პ. კ. საყოველთაო მისაწვდომი ფორმით გადმოსცემს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნ. საფუძვლებს, გვაცნობს მათ ისტორიას, პროპაგანდას უწევს მეცნ. და ტექ. მიღწევებს. ს.-პ. კ. ასახავს მეცნიერთა და სწავლულთა ცხოვრებას, შემოქმედებას, მეცნ. ძიებებს, წარმოდგენას გვაძლევს ამა თუ იმ აღმოჩენის მნიშვნელობაზე და სხვ. სამეცნ. შინაარსის თავისებურების შესაბამისად იყენებს კინემატოგრაფიული გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებს, რის გამოც ჩამოყალიბდა ფილმების 3 ტიპი — სამეცნ.-პოპულარული, სამეცნ.-პუბლიც. და სამეცნ. მხატვრული. მათგან ყველაზე გავრცელებულია სამეცნ.-პოპულარული ფილმები. ამ სახის ფილმები პირველად 1897 შეიქმნა საფრანგეთსა და გერმანიაში; 1920-მდე მათ გადაღების რეგულარული ხასიათი არ ჰქონდა. რევოლუციამდელ რუსეთში ს.-პ. კ-ს დაბადება დაკავშირებულია მოსკოველ მეცნიერთა ჯგუფთან, რ-თა ინიციატივით და ორგანიზაციით 1911 ა ხან-ჟონკოვის კინოფ-კამ გამოუშვა რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი კინოფირი, სასწ., სამეცნ.-საწარმოო და სამეცნ. პოპულარული ფილმები. 20—30-იან წლებში გამოიკვეთა ს.-პ. კ-ს ძირითადი თემატური მიმართულება და ჟანრები მაგ., ვ. პუდოვკინის „თავის ტვინის მექანიკამ“ (1926) საფუძველი ჩაუყარა ხატოვანი კინოლექციის ჟანრს. ვ. შნეიდეროვის ფილმებმა „დიადი გადაფრენა“ (1925), „ელ იემენი“ (1930) და ა. ლიტვინოვის „ტყის ხალხმა“ (1928)— გეოგრ. და ეთნოგრ. მიმართულებას. ს.-პ. კ-ში გამოჩნდა ახ. ფილმები: ანიმალისტური („ზღვის სიღრმეში“, 1938, რეჟისორები ა. ზგურიდი და ბ. დოლინი), სახელოვნებათმცოდნეო („პუშკინის ხელნაწერები“, 1937; რეჟისორები ს. ვლადიმირსკი და ა. ეგოროვი; „ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა“, 1939, რეჟ. ვ. ნიკოლაი), ენტომოლოგიური („მწერების ინსტინქტი“, 1939, რეჟ. ა. ვინიცკი). ს.-პ. კ. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ომის შემდგომ პერიოდსა და 50-იან წლებში. იგი განვითარდა უზბეკეთში, ყაზახეთში, ბელორუსიაში, ესტონეთში, ლატვიაში.

საქართველოში ს.-პ. კ-ს ფუძემდებელია ცნობილი საზ. მოღვაწე პ. თუმანიშვილი, რ-მაც 1918 თავის „კინოპროგრამაში“ ჩამოაყალიბა კინოს ამ სახის არსი და დასახა მისი განვითარების გზები რევ. შემდეგ ახალჩამოყალიბებული „სახკინო-მრეწვის“ თაოსნობით შეიქმნა სამგცნ.-პოპულ. ე. წ. კულტურფილმები. მათი თემატიკა შეეხებოდა სოფლის მეურნეობას, მედიცინასა და გეოგრაფიას: „სვანეთი“ (რეჟ. ვ. კერესელიძე, 1926), „მეაბრეშუმეობა“ (1929), „მეცხოველეობა“ (ორივეს რეჟ. გ. გომართელი, 1929), „ზოომინიმუმი“ (რეჟ. ვ. შველიძე, 1931), „საქართველოს ფლორა“ (რეჟ. შ. ხუსკივაძე, 1932), „მალარია“ (რეჟ. ლ. პუში, 1932).

საქართველოში ინტენს. მუშაობა გაიშალა სამეცნ.-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ჩამოყალიბების შემდეგ. შეიქმნა ფილმები „ერთი ცდის ისტორია“ (1959, რეჟისორები დ. აბაშიძე, ნ. ჟუჟუნაძე), „დარტყმა ღრუბლებზე“ (1962, რეჟ. დ. აბაშიძე), „უხილავ სხივთა დამჭერნი“ (1969, რეჟ. გ. ჟვანია) და სხვ. მრავალი ფილმი მიეძღვნა კულტურის ძეგლებს („სვეტიცხოველი“, 1960, „საქართველოს ჭედური ხელოვნება“, 1960, ორივეს რეჟ. ო. ჭიაურელი; „ქართული ტიხრული მინანქარი“, 1964, რეჟ. თ. ნოზაძე და სხვ.). შეიქმნა ფილმპორტრეტები („აკადემიკოსი მუსხელიშვილი“, 1968, რეჟ. შ. შონია; „უჩა ჭაფარიძე“, 1969, რეჟ. რ. ჭიაურელი). წარმატება მოიპოვეს ფილმებმა: „საპოვნელა“ (1959, რეჟ. ო. ოსელიანი), „აბრეშუმი“ (1973, რეჟ. გ. ჟვანია) და სხვ. საქართვ. სამეცნ.-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ გამოშვებული მრავალი ფილმი დაგვილდოებულია საკავშ. და საერთაშ. ფესტივალების ჯილდოებით.

ლიტ.: ქართული კინოსურათების ფილმოგრაფია, თბ., 1971 (ავტ.: გ. ჟვანია, ნ. რუსიშვილი, გ. კოპაძე, შ. ჩაგუნავა).

გ. ჟვანია.

სამეცნიერო ჟურნალი, პერიოდული გამოცემა, რ-იც სამეცნიერო ინფორმაციის წყარო და სამეცნ. კომუნიკაციის საშუალებაა.

ს. შ-ს ენათესავება სამეცნ. ბიულეტენები, სამეცნ. სტატიებისა და მოხსენებების კრებულები „შრომების“, „სამეცნიერო წერილების“ და სხვ. ტიპისა. პირველად ს. შ-ში ქვეყნდება ახ. სამეცნ. მონაცემები, მეორადში — ინფორმაციები პირველწყაროთა შესახებ და სამეცნ.-ინფორმაციული და ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალები; ესენია *რეფერატული ჟურნალები* და მათი მაჩვენებლები, სასიგნალო ინფორმაცია, ექსპრეს-ინფორმაცია, ბიბლიოგრაფიული ჟურნალები. მესამე ტიპის ს. შ-ია მიმოხილვითი, სამეცნ.-მეთოდ., ზოგადსამეცნ.-პოპულარული ჟურნალები.

ს. შ-ის ფუნქცია არ ამოიწურება მხოლოდ სამეცნ. ინფორმაციის გავრცელებით; ს. შ-ში სამეცნ. სტატიის პუბლიკაცია უზრუნველყოფს მეცნიერის პრიორიტეტს, ს. შ-ის მრავალმხრივი ანალიზი *მეცნიერებათმცოდნეობის* ერთ-ერთი მიმართულებაა.

მსოფლიოში გამოდის 35 ათ-მდე სახელმწ ს. შ., რ-ებშიც წელიწადში 3 მლნ-მდე სტატია ქვეყნდება, სსრკ-ში 800-მდე სახელწ. ს. შ-ია. ცნობები ს შ-ის შესახებ იხ. სტატიებში მეცნიერებათა დარგების, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების, სხვადასხვა ქვეყნის მეცნ აკად. შესახებ.

სამეცნიერო საზოგადოებები, მეცნიერ-სპეციალისტთა ან მეცნიერების რომელიმე დარგით დაინტერესებულ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები. პირველწყარო სახით ეახლება ანტ ხანაში (იხ. სტ. *აკადემია*) როგორც პროფესიონალ ბუნებისმეტყველთა გაერთიანება, ჩამოყალიბდა ევროპაში XV—XVI სს-ში ს. ს. გამოდიოდნენ სქოლასტიკის წინააღმდეგ. XVII—XIX სს-ში ს. ს. მიზნად ისახავდნენ გამოკვლევათა კოორდინაციას, ინფორმაციის გავრცელებასა და გაცვლას, შრომების გამოცემას, პრემიების მინიჭებას და სხვ. მეცნ დიფერენციაციასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა 2 ტიპის ს. ს.: სპეციალიზებული და უნივერსალური. ს. ს-ს. როგორც წესი, საკუთარი მატერ. ბაზა არ გააჩნდათ, მაგრამ თავისი წევრების მეშვეობით დიდ გავლენას ახდენდნენ სამეცნ.-კვლ მუშაობის წარმართვაზე. XX ს-ში ს ს-ის ტრად. ფუნქციების გარდა გაჩნდა ახალიც: უნივერს. და სპეციალიზებული ს. ს.—კონსულტაციას უწევენ მთავრობებს და სამთავრობო ორგანიზაციებს, მონაწილეობენ სამეცნ. პროგრამების დამუშავებაში. კაპიტალ. ქვეყნებში ს. ს. კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებია, მათი ფინანს. წყაროა საწევრო ანარიცხები, შემოწირულებანი, კერძო პირებისა თუ ფონდების სუბსიდიები და სხვ.

სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში, (სახელმწ. სამეცნ. დაწესებულებების განვითარებული სისტემის პირობებში) ს. ს. დიდ როლს თამაშობენ სამეცნ. ცოდნის გავრცელებაში, სამეცნ. ექსპედიციების მოწყობაში, სამეცნ. ლიტ-რის გამოცემასა და გავრცელებაში, ატარებენ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, გასცემენ პრემიებს, თავისი წვლილი შეაქვთ საერთაშ. სამეცნ.-კვლ. თანამშრომლობაში. ს. ს. იქმნება სსრკ მეცნ. აკადემიასთან, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნ. აკადემიებთან, უნ-ტებთან და სხვ. წარმოებაში მოშუშავე მეცნიერები და სპეციალისტები ერთიანდებიან *სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებში*. საქართვ. ს. ს-ის შესახებ იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი მეცნიერება, ქვეთავი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები.

სამეცნიერო-საწარმოო კინო, სამეცნიერო კინოს ერთ-ერთი სახეობა; მოიცავს გამოყენებითი მნიშვნელობის ფილმებს, რ-ებიც პროპაგანდას უწევს ახ. ტექნიკას და შრომის პროგრ. მეთოდებს სახ. მეურნეობაში. ასეთ ფილმებს უწოდებენ აგრეთვე ტექ.-პროპაგანდისტულ ფილმებს. სამეცნ.-პოპულ. კინოსაგან განსხვავებით, ს.-ს. პ. გათვალისწინებულია მასობრივი, მაგრამ სპეციალიზებული აუდიტორიისათვის — ცალკეული დარგების სპეციალისტებისათვის. ს.-ს. კ. სსრკ-ში შეიქმნა 1920 და ფართოდ განვითარდა XX ს. 30-იან წლებში, როცა გადასაჭრელი იყო კადრების მომზადებისა და მუშების კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემა. 60—70-იან წლებში ს.-ს. კ. პროპაგანდას უწევდა ავტომატიკის, რადიოელექტრონიკის, ლაზერული, ულტრაბგერის ტექ. და სხვათა გამოყენებას სახ. მეურნეობაში, ფართოდ ავრცელებდა მოწინავე საწარმოთა გამოცდილებას, შრომისა და დაგეგმვის სამეცნ ორგანიზაციას.

სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა რესპუბლიკური, გ. მიქელაძის სახელობისა, შეიქმნა 1965 საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტთან არსებული სამეცნ.-ტექ. ბ-კის (დაარსდა 1957) ბაზაზე. 1972 მიენიჭა გ. *მიქელაძის* სახელი. ბ-კის ფონდშია 15 მლნ-მდე დაცვითი ერთეული (1985). ყოველწლიურად ბ-კა ემსახურება 20 ათ-მდე მკითხველს; ბ-კა ღებულობს ყველა სამეცნ.-ტექ. ბ-კების მეთოდური ცენტრია.

ნ. გოგსაძე.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერებისა და ტექნიკის ერთიანი, ურთიერთგანპირობებული წინსვლითი განვითარება. ს.-ტ. პ. დაკავშირებულია მანუფაქტურულ წარმოებასთან (XVI — XVIII სს.), როცა თეორ. და ტექ. მოღვაწეობამ დაახლოება დაიწყო. მანამდე მეცნიერება და ტექნიკა იყო ადამიანთა საქმიანობის ორი, შედარებით დამოუკიდებელი ნაკადი.

XVIII ს. ბოლოს მანქანური წარმოების წარმოქმნა განპირობებული იყო გამოჩენილი მეცნიერების (გ. გალილეი, ი. ნიუტონი, ე. ტორიჩელი, დ. ბერნული, ე. მარიოტი და სხვ.) მეცნ.-ტექ. შემოქმედებით.

ს.-ტ. პ-ის მესამე ეტაპი დაკავშირებულია თანამედროვე *სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან*.

ს.-ტ. პ. სოც. პროგრესის საფუძველია. კაპიტალიზმის პირობებში იგი ძირითადად ემსახურება ბურჟ. ინტერესებს, გამოიყენება მილიტარიზაციის მიზნებისათვის, ხშირად იწვევს სულიერი ფასეულობის რეგრესს (იხ. აგრეთვე სტატიები *მეცნიერება, პროგრესი, ტექნიკა*).

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, საწარმოო ძალების ძირეული, თვისებრივი ცვლილება მეცნიერების საზოგადოებრივი წარმოების განვითარების წამყვან ფაქტორად გადაქცევის საფუძველზე. ს.-ტ. რ. დაიწყო XX ს. შუა ხანში. ს.-ტ. რ. ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ საზ. ცხოვრების ყველა მხარე-

ზე (ადამიანთა ფსიქოლოგია, კულტურა, ყოფა, საზ-ბის დამოკიდებულება ბუნებასთან და ა. შ.).

ს.-ტ. რ. მსოფლიო მოვლენაა, იგი საზ-ბის განვითარების კანონზომიერი პროცესის გამოვლინებაა. ამავე დროს მისი გამოვლინების ფორმები, მიმდინარეობა და შედეგები პრინციპულად განსხვავებულია სოციალ. და კაპიტალ. ქვეყნებში.

ს.-ტ. რ. ხანგრძლივი პროცესია. მას წინ უძღოდა წარმატებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, რის შედეგად შეიცვალა შეხედულება მატერიაზე და სამყაროს ახ. სურათი ჩამოყალიბდა.

მეცნ. თანდათანობითმა განვითარებამ გამოიწვია ძირეული ცვლილება ქიმ., გენეტიკისა და სხვა მეცნ. თეორ. საფუძვლებში. ძირეული რევ. ცვლილება მოხდა წარმოების ტექნიკაში (ბირთვული ენერგეტიკის წარმოქმნა, კიბერნეტიკის, ელექტრონული გამომთვლელი ტექ., ლაზერული ტექნოლ. აღმოცენება, კოსმოსის ათვისების დაწყება და ა. შ.). მეცნ. განვითარების ტემპი საგრძნობლად აღემატებოდა წარმოების განვითარების ტემპებს.

თანამედროვე პირობებში ს.-ტ. რ. შემდეგი ძირითადი ნიშნებით ხასიათდება: 1. მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად და ე. წ. სამეცნ წარმოების ჩამოყალიბება. „მეცნიერება—ტექნიკა—წარმოება—მოხმარება“ ქმნის ერთიან კომპლექსს. მიმდინარეობს ახ., შრომის დიდი საზ. დანაწილება, კერძოდ, მეცნიერება გამოიყოფა სახ. მეურნ. დამოუკიდებელ დარგად; 2. წარმოებითი აპარატი, შრომის საგნები სრული ზომით ხდება ცოდნის განივთებულ ძალად. წარმოების მართვაში ფართოდ გამოიყენება კიბერნ., ელექტრულ - გამომთვლელი ტექ. და თანამედროვე ტექ. სხვა საშუალებები. შრომის კომპლ. მექანიზაციაში ფართოდ გამოიყენება სამრეწვ. რობოტები. ინფორმაციის შეგროვება, გადაცემა და გადამუშავება გამოიყოფა მატერ. წარმოების დარგად. რევ. ცვლილება მიმდინარეობს წარმოების ტექნოლოგიაში. მოწყობილობა, ტექნოლოგია, მართვის სისტემა იძლევა ადამიანის ორგანიზმის ორგ შესაძლებლობის გადალახვის საშუალებას; 3. ძირეული ცვლილებები მატერ. წარმოებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებაში; 4. ყველაზე მასობრივი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია არაწარმოებით სფეროში.

ეკონ. ასპექტში ს.-ტ. რ-ის უმნიშვნელოვანესი შედეგია საწარმოო ძალების თვისებრივად ახ. დონე: წარმოების საზ. ხასიათის მკვეთრი გაძლიერება, წარმოების სტრუქტურის შეცვლა, წარმოებაში მუშაკის მდგომარეობის ცვლილება, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების ახ. ფაქტორების გაჩენა.

ს.-ტ. რ-მ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა გაფართოებული კვლავწარმოების პროცესსა და მის პროპორციებზე. გაძლიერდა წარმოების დინამიკურობა, დაჩქარდა საზ. წარმოების ორი ქვედანაყოფის დაახლოების ტენდენცია. იცვლება თანაფარდობა წარმოებითსა და არაწარმოებით სფეროს შორის. მკვეთრად გაიზარდა ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა. ერთდროულად თვისებრივი ცვლილება მოხდა ერთობლივ მუშაკში. გართულებულია მისი სტრუქტურა ახ. და ტრად. პროფესიების ინტეგრაციის ხარჯზე.

ს.-ტ. რ-ის მიღწევების გამოყენება გახდა საზ. სამეცნ.-ტექ. და ეკონ. პოტენციალის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი სფერო. ამიტომ იგი ობიექტურად გამოდის ისეთ ძალად, რ-იც ხელს უწყობს საწარმოო ძალებისა და სოციალ. წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფას. „...მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იძენს სწორ მიმართულებას, რომელიც შეესაბამება ადამიანის და საზოგადოების ინტერესებს. თავის მხრივ, მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაიჭრას სოციალური რევოლუციის საბოლოო ამოცანები — აშენდეს კომუნისტური საზოგადოება“ (სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 64).

ს.-ტ. რ-ის მიღწევების გამოყენებაში ვლინდება სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრება. იგი უზრუნველყოფს მეცნ. და ტექ. პროგრესს, მთელი საზ. წარმოების დაგეგმვას, ტექ. პროგრესის გადამწყვეტ მიმართულებებზე რესურსების კონცენტრაციას, მთელი საზ-ბისა და მისი თითოეული წევრის დაინტერესებას წარმოების ეფექტურობის ამაღლებაში. სოციალიზმს შესაძლებლობა აქვს განჭვრიტოს ს.-ტ. რ-ის სოც.-ეკონ. შედეგები და შეგნებული ზემოქმედება მოახდინოს მათ განვითარებაზე. ამის დადასტურებაა სსრკ მეცნ. აკად. ინ-ტის მიერ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად სამეცნ. ტექ. პროგრესისა და მისი სოც.-ეკონ. შედეგების 1976—90 წწ. კომპლ. პროგრამის მომზადება. ამ საკვანძო პრობლემის გადაჭრაში უპირველეს როლს ასრულებს მეცნ. და წარმოების კავშირის განმტკიცება, სამეცნ. და საპროექტო ნამუშევრების ხარისხის გაუმჯობესება და დაჩქარება, მასობრივ წარმოებაში მათი შედეგების სწრაფი დანერგვა. X და XI ხუთწლედებში დასახულია ახ. ტექ. საშუალებების ათვისება, წარმოების ტექნოლ. სრულყოფა, მისი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლება. სახელმწ. გეგმებში შეტანილია ახ., მრავალი დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციისა და პროგრ. ტექნოლ. პროცესის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ათვისების დავალება. ზემოაღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ძნელდება ინტერესი ფუნდამენტური მეცნიერებისადმი. „...მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მძლავრი ნაკადი დაიშრიტება, თუ მას დღენიადაგ არ ასაზრდოებს ფუნდამენტური კვლევა“ (იქვე, გვ. 65) IX ხუთწლედში (1971 — 1975) მეცნიერებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 77 მლრდ. მან., X ხუთწლედში (1976—1980)—97,9 მლრდ. მან., ხოლო 1982 წ. — 24,6 მლრდ. მან.

კაპიტალიზმის დროს ს.-ტ. რ-ის მიღწევები გამოიყენება მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფისა და კაპიტალ. სისტემის შენარჩუნებისათვის. ეკონ. რეგულირების სახელმწ.- მონოპ. მეთოდებმა განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა მეცნ. და ტექ. განვითარებისათვის გამოყოთ უზარმაზარი რესურსები. მაგ., აშშ-ში სამეცნ.-კვლ. და საცდელ-კონსტრუქტორულ სამუშაოებზე გაღებული სახსრები შეადგენს ქვეყნის მთლიანი ეროვნ. პროდუქტის 2,27% (1981), გფრ-ში — 2,66 % (41,3 მლრდ. მარკა), საფრანგეთში — 2.2% (50 მლრდ. ფრანკი); იაპონიაში ამ სფეროში დასაქმებულია 280 ათ. კაცი (1979), ხოლო ხარჯებმა შეადგინა 3,5 ტრილიონი იენი (1978). მკვეთრად გაიზარდა მეცნ. მუშაკთა რაოდენობა. თუ 1896 მეცნ. მუშაკთა საერთო რაოდენობა მთელ მსოფლიოში 50 ათ. კაცს არ აღემატებოდა, ამჟამად ამ რიცხვმა 5 მლნ. კაცს მიაღწია. რუსეთში 1913 მეცნ. მუშაკთა რაოდენობა 11,6 ათ. კაცს აღწევდა, 1982 კი სსრკ-ში ითვლებოდა 1431,7 ათ. მეცნ. მუშაკი.

მონოპ. ბურჟუაზია მეცნ. და ტექ. მიღწევებს იყენებს საერთაშ. ასპარეზზე აგრესიული პოლიტ. განხორციელებისა და თავის ქვეყანაში კლასობრივი ბატონობის განმტკიცებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალ. ქვეყნების სამხ. წარმოებაში დასაქმებულია მეცნ. და ინჟ.-ტექნიკოს. პერსონალის 50%-ზე მეტი. იგი ნთქავს მეცნ. გამოკვლევებზე გაღებული სახსრების 60%-ზე მეტს. მილიტარიზმის საჭიროებისათვის მეცნ.-კვლევითი შედეგების გამოყენებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო აშშ-ში, სადაც „წარმოიქმნა სპეც., საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეცნ. მუშაკების ფენა, რ-ებსაც მეცნიერთა წრეში მეტსახელად „სამოქალაქო მილიტარისტები“ შეარქვეს. აშშ-ში სამხ. წარმოებაში დასაქმებულ მუშებს უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე სამოქალაქო დარგებში დასაქმებულებს. სამხ. დარგებში კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებს შორის თანაფარდობაა 73 : 23, მაშინ, როცა სამოქალაქო დარგებში იგი გამოიხატება თანაფარდობით 37 : 63.

სამეცნ.-კვლ. სამუშაოების დიდი ნაწილი იმ დარგებშია თავმოყრილი, რ-ებიც სამხ. მიზნებს ემსახურება. მაგ., აშშ-ში საავიაციო და სარაკეტო მრეწვ. წილად მოდის მთელი სახსრების 38,2%, ელექტროტექ. და ელექტრონული მრეწვ. წილად — 19,7%, ქიმ. და ფარმაცევტული მრეწვ. წილად — 12,1%, ინგლისში შესაბამის დარგებში იგი ხვდრის 22,4%, 19,8%, 13,2%, საფრანგეთში — 29,4%, 26,0% და 17,9%.

სამეცნ.-ტექ. პროგრესის დაქვემდებარება ომის მიზნებისათვის კაპიტალ. წარმოებითი ურთიერთობის შედეგია. ეს მოვლენა მოწმობს აშკარა დისპროპორციას სამხ. და სამოქალაქო გამოკვლევების შორის.

აშშ-ის წილი სამეცნ.-კვლ. მუშაობაში მსოფლიო კაპიტალ. მეურნეობაში შეადგენს 70%, სხვა განვითარებული კაპიტალ. ქვეყნებისა—28%, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისა — 2%.

ს.-ტ. რ. ორ მსოფლიო სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი სფეროა, რამდენადაც იგი გახდა ისტ. განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი, ორი სისტემის ეკონ. შეჯიბრების ობიექტი. ბურჟ. იდეოლოგები თანამედროვე ს.-ტ. რ-ს მიიჩნევენ მეორე სამრეწვ. რევოლუციად, რ-ის სოციალ.-ეკონ. შედეგია თითქოს კაპიტალიზმის, როგორც საზ. სისტემის, განმტკიცება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ისეთი ბურჟ. თეორიები, როგორიცაა ტექნოკრატიული და ტექნოლ. თეორიები. ინდუსტრ. და პოსტინდუსტრ. თეორიები, კონვერგენციის კონცეფციები და სხვ. სინამდვილეში თანამედროვე ს.-ტ. რ. შეურიგებელ წინააღმდეგობაშია წარმოების საზ. ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კერძოკაპიტალ. ფორმას შორის. ამას ადასტურებს ეკონ. მილიტარიზაცია, ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ექსპლუატაცია და გარემოს გაჭუჭყიანება, შრომის მეტისმეტი ინტენსიფიკაცია, მრავალრიცხოვანი საწარმოო ტრავმატიზმი და სხვ. ს.-ტ. რ. საზ. წარმოების განვითარების კანონზომიერი პროცესია. იგი აჩქარებს წარმოების განსაზოგადების მსვლელობას. ამიტომ იგი სოციალიზმისათვის ხელისშემწყობი ძალაა. *ჯ. კაჭნიაშვილი.*

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები სსრკ-ში, ნებაყოფლობითი მასობრივი ორგანიზაციები, რ-ებიც აერთიანებენ ინჟინრებს, ტექნიკოსებს, წარმოების ნოვატორებს, მეცნიერებს, ხელს უწყობენ წარმოების სრულყოფას და სამეცნ.-ტექნიკური პროგრესის განხორციელებას. ს.-ტ. ს. იქმნება მრეწვ., ტრანსპ., სოფ. მეურნ. საწარმოებში, სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტებში.

რუსეთში პირველი ს.-ტ. ს. შეიქმნა XIX ს. II ნახევარში. საბჭ. მთავრობამ 1921 მიიღო დადგენილება ამ საზ-ბათა საქმიანობისათვის ხელის შეწყობის შესახებ. 1931 შეიქმნა სხვადასხვა საინჟინრო-ტექ. საზ-ბა, ხოლო 1954 სკკპ ცკ-ის დადგენილებით „სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების შესახებ“ ისინი გადა-

კეთდა წარმოების დარგების შესაბამის ს.-ტ. ს-ად და მათი ხელმძღვანელობა დაევალა პროფკავშირთა საკავშ. ცენტრ. საბჭოს. ზოგიერთი ს.-ტ. ს. მსოფლიო საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ორგანიზაციის წევრია. საქართვ. ს.-ტ. ს-ის შესახებ იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი მეცნიერება.

სამეცნიერო ხარისხები და წოდებები, უმაღლესი განათლების მქონე პირთა სამეცნიერო და სამეცნ.-პედაგოგიური კვალიფიკაცია (ატესტაცია). სსრკ-ში დადგენილია *მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერებათა კანდიდატის* ხარისხები, *პროფესორის, დოცენტის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის*, ასისტენტისა და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდებები. ს. ხ. და წ-ის მინიჭება რეგლამენტირებულია „დებულებით სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ" (1975).

სხვადასხვა ქვეყანაში მეცნ. მუშაკთა სამეცნ. და სამეცნ.-პედ. ატესტაცია სხვადასხვაგვარია. არსებობს ს. ხ. და წ-ის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნომენკლატურა. მაგ., უ ნ გ რ ე თ შ ი პირველი სამეცნ. ხარისხია უნ-ტის დოქტორი, შემდეგ — მეცნ. კანდიდატი, მესამეა — მეცნ. დოქტორი (ანიჭებს აკადემია); გდრ-ში ორი სამეცნ. ხარისხია: მეცნ. დარგის დოქტორი (შეესატყვისება ჩვენს მეცნ. კანდიდატს) და დოქტორ-ჰაბილი (ჩვენი—მეცნ. დოქტორი) და სხვ. კ ა პ ი ტ ა ლ. ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი სამეცნ. კადრების ატესტაციის ძირითადი სისტემებია ინგლ.-ამერ. და ფრანგული. აშშ-ში სამეცნ. ხარისხებს უწოდებენ აკად. ხარისხებს. ინგლ. და ამერ. უნ-ტების დამთავრების შემდეგ იღებენ მეცნ. (ან ხელოვნ.) *ბაკალავრის* სამეცნიერო ხარისხს, 1—2-წლიანი სწავლების შემდეგ კი ენიჭებათ მეცნ. (ან ხელოვნ.) *მაგისტრის* ხარისხი. ფილოს. დოქტორის ხარისხის (შეესატყვისება ჩვენს მეცნ. კანდიდატს) მინიჭების უფლება აქვს ყველა უნ-ტს. საფრანგეთში ბაკალავრის აკად. ხარისხი ენიჭებათ სამ. სკოლის დამთავრების შემდეგ. პირველი სამეცნიერო ხარისხია *ლიცენციატი* ან დოქტორ-ინჟინერი. სამეცნ. ხარისხია *აგრეგე* ან III ციკლის დოქტორი; სახელმწ. დოქტორის სამეცნ. ხარისხი შეესატყვისება ჩვენს მეცნ. კანდიდატს.

განათლებისა და სამეცნ. კვალიფიკაციის დიპლომების ეკვივალენტობას ადგენს სპეც. სამთავრობათშორისო კონვენციები.

სსრკ-სა და სხვა ქვეყნებში არის მეცნ. დარგის საპატიო დოქტორის და რომელიმე სასწავლებლის საპატიო პროფესორის ს. ხ. და წ., რ-იც, როგორც წესი, ენიჭებათ საზღვარგარეთელ მეცნიერებს.

სამეხრეო, ს ა მ ე ს რ ე ო, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, მდ. ქციის მარცხ. მხარეს. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. I ნახევარში.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

სამკიჟი, უძველესი ქართული დასარტყამი სამუსიკო საკრავი. ს.-ს. ორბელიანის ცნობით ს. ნაღარის ქართ. სახელწოდებაა, ამჟამად საქართველოში ცნობილია *დიპლიპიტოს* სახელწოდებით.



სამთავისი. რელიეფი ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე. 1030.

სამშვილდე ტელესკოპი, მზის ატმოსფეროს შესასწავლი ინსტრუმენტი, რ-შიც გათვალისწინებულია მზის დაკვირვების სპეციფიკა. *მზის გვირგვინს* შეისწავლიან რეფრაქტორებით, ფოტოსფეროს კი — უმეტესად სარკული სისტემებით. ეს ინსტრუმენტები გრძელფოკუსიანია, ამიტომ ისინი უძრავია, მზის გამოსახულებას კი ცელოსტატის ან ჰელიოსტატის სარკეებით იღებენ. თბილი ჰაერის ნაკადებით მზის გამოსახულება ძლიერ მახინჯდება, ამიტომ ცელოსტატს ხშირად მაღალ კოშკურაში დგამენ. განასხვავებენ კოშკურა (მაგ., ყირიმის ობსერვ.) და ჰორიზონტულ (მაგ., აბასთუმნის ობსერვ.) ს. ტ-ს. მსოფლიოში უდიდესი ს. ტ. დგას კიტ-პიკის ეროვნ. ობსერვატორიაში (აშშ). მისი მთავარი სარკე (დიამეტრი 1,6 *მ*, საფოკუსო მანძილი 90 *მ*) ქმნის მზის 80-*სმ*-იან გამოსახულებას.

სამთავისი, სოფელი კასპის რ-ნში, მდ. ლეხურის მარცხ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ბოჟამი, თოგოიანთკარი). ზ. დ. 680 *მ*, კასპიდან 11 *კმ*. სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა). სამ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. ძველად ს. კულტ.-საგანმან. კერა იყო. იქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: გადამწერები ილია (XVI ს.) და არქიეპისკოპოსი ევდემონი (XVII ს.), მწიგნობარი და მთარგმნელი კვიპრიანე სამთავნელი (XVII—XVIII სს.), *ანტონ I* კათალიკოსი და სხვ.

ს-ში დგას XI ს. ქართ. ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — გუმბათოვანი ტაძარი. ტაძრის აღმშენებელი იყო ილარიონ ძე ვაჩე ყანჩაელისა, სამთავნელი ეპისკოპოსი, რ-იც მოხსენიებულია აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში. ერთ-ერთ წარწერაში, რ-იც თაგის დროზე გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (წარწერიანი ქვა ახლა დაკარგულია), მითითებული იყო ძეგლის აშენების თარიღი — 1030. დროთა განმავლობაში ძეგლი ძლიერ დაზიანდა; გადარჩა მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი. ჩრდილოეთის და სამხრეთის ფასადებს კარიბჭეები აკლია, დასავლეთის ფასადი აღდგინეს XV ს-ში, მას შემდეგ, რაც გუმბათის ყელი ჩამოიქცა და შენობის დას. მხარე გადაანგრია; ახლანდელი გუმბათის ყელიც იმდროინდელია. შენობას, კერძოდ დასავლეთის ფასადსაც, ატყვია XIX ს. შეკეთების კვალი. გვიანდ. მხატვრობის ფრაგმენტები გადარჩენილია მხოლოდ საკურთხეველში. ძეგლი გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობით, ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. მას ახასიათებს ზოგი თავისებურება, რ-იც საფუძვლად დაედო ქართ. ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. აღმოსავლეთის ფასადის დამუშავება, რ-საც კვლავინდებურად ხუთთაღოვანი სისტემა უდევს საფუძვლად, ქმნის რთულ დეკორ. კომპოზიციას. საკურთხეველის მთავარი სარკმლის თაღზე გაჩნდა უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ კუთხით დაყენებული, ჩუქურთმით შეკვეთული ორი კვადრატი. ს-ის აღმოსავლეთის ფასადის დეკორ. დამუშავების გავლენას დიდხანს განიცდიდა ქართ. ხუროთმოძღვრება; მან განსაკუთრებით იჩინა თავი XII ს. II ნახევარში. ძეგლს გარს ერტყმის გალავანი, რ-ის შიგნით ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევებია. სამრეკლო, როგორც ჩანს, XVII ს-შია აგებული.

ლიტ.: ს ო ხ ა შ ვ ი ლ ი გ., სამთავისი, თბ., 1973.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 32—33.

სამთავისის საეპისკოპოსო, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო. VI ს. 50-იან წლებში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ — ისიდორემ (ეზდერიო) — აქ ააშენა ეკლესია. 1030 ეპისკოპოსმა ილარიონ ყანჩაელმა სამთავისში ააშენა ახ. დიდებული ტაძარი (იხ. *სამთავისი*). თ.მარის დროს ს. ს. სამართავად გადაეცათ ჯერ მიქელ, ხოლო შემდეგ ანტონ კათალიკოსებს. სამთავნელ ეპისკოპოსთა სამწყოს საზღვრები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, მაგრამ ძირითადად მაინც მოიცავდა მდ-ების ქსნისა და ლეხურის სოფლებს ს. ს. გაუქმდა 1811. *გ. გ-ია.*

სამთავრო, მონარქიული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რ-ის სათავეში ედგას მთავარი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ფეოდ. დაქუცმაცებულობის პერიოდისათვის. ძვ. რუსეთში ს-ები (княжество) წარმოიქმნენ IX—X სს-ში. XI—XII სს-ში კიევის რუსეთიდან გამოიყო მრავალი ს., რ-ებიც თავის მხრივ იყოფოდნენ უკრო წვრილ პოლიტ. ერთეულებად — საუფლისწულო ს-ებად. ყველაზე მსხვილი ს-ები დიდ ს-ებად (великое княжество) იწოდებოდნენ.

XV ს. დასასრ. და XVI ს. დასაწყისში ჩრდ.-აღმ. რუს. ს-ები რუს. ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ მოსკ. დიდი ს-ს ირგლივ. სხვა სახელმწიფოებშიც (გერმანიაში Fürstentum, საფრანგეთში — Principauté და სხვ.) ს. ფეოდ. დაქუცმაცებულობის პერიოდის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო. გერმანიაში ე. წ. ტერიტორიული ს-ები არსებობდნენ გერმ. იმპერიის შექმნამდე (1871). ზოგიერთი ს. ჩვენს დრომდე შემორჩა (დას. ევროპაში—ლიხტენშტაინი, მონაკო, სპარსეთის ყურის რ-ნებში — არაბ. საამიროები, ს-ები 1950-მდე არსებობდნენ ინდოეთშიც). შუა საუკ. საქართველოში, ს. ეწოდებოდა მთავარის საგამგებლო ტერიტორიას. 1. სახელმწ. მოხელეების (სპასპეტი, ერისთავი, სპასალარი და სხვ.) საგამგებლო ადმ.-ტერ. ერთეულები; 2. მცირე და დიდი სენიორიები (VI—VIII სს-ში — ქართველთა საერისთავო; VIII—X სს-ში — კახთა საქორეპისკოპოსო, ჰერთა სამეფო, იბერთა საკურაპალატო, სხვადასხვა საუფლო-სამამფლო-სამეფოები; XIII — XVIII სს-ში — სამცხე-საათაბაგო, გურიის, სარეგრელოს, სვანეთის, აფხ. სამთავროები).

საქართვ. მონარქიის სამოხელეო ს-ები (საერისთავო ქვეყნები), იშვიათად კი სამამულე სამფლობელოებიც XV—XVIII სს-ში გადაიქცნენ სენიორია-ს-ებად და სახელმწ. ს-ებად (ოდიშის, სვანთა, აფხაზთა საერისთავოები, სამცხე-საათაბაგო). ზოგჯერ სამოხელეო ს-ები სათავადო-სამამულე სამფლობელო ხდებოდა (მაგ., ქსნისა და არაგვის საერისთავოები).

წყარო და ლიტ.: გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანცთელისა, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1963; ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, იქვე; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959, *ნ. შოშიაშვილი.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 32—33.

სამთავრო, ხუროთმოძღვრების ძეგლი, XI ს. პირველი ნახევრის საეპისკოპოსო ტაძარი მცხეთაში, სამხ. გზასთან, ფერდობზე. წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა ნაგებობას. წინა ხანის ნაგებობათაგან განსხვავებით აქ გეგმა დამოკლებულია, გუმბათი ეყრდნობა არა 4 თაღისუფლად მდგარ ბოძს, როგორც ეს მანამდე იყო, არამედ 2 ბოძსა და საკურთხეველის შეერილებს. საკურთხეველის აფსიდის ორივე მხარეს 2 სართულად განლაგებული გვერდითი სათავსებია. ტაძარი როგორც ჩანს, თავიდანვე შელესილი და მოხატული იყო. განკვეთილი მოგვიანებითაა აღდგენილი. ტაძრის სამხრ-იდან მიშენებული აქვს კამარებით გადახურული დიდი ეგვტერი — კარიბჭე; მეორე მინაშენი ჩრდილოეთის მხარესაა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაძრის დეკორ. მორთულობა. აღმოსავლეთის ფასადზე გამოყენებულია ხუთთაღიანი კომპო-



სამთავისი. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადის კუთხის მორთულობა. დეტალი. 1030.

ზიცია. უფრო ინტენსიურად და ბრწყინვალედაა დამუშავებული სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები. გუმბათის ყელი XIII–XIV სს-შია მთლიანად აღდგენილი.

ს-ს ტაძრის გალავნის შესასვლელის მარჯვნივ მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესია დგას, ძალიან ადრინდ. ხანისა — IV ს. (?) ეკლესიის ჩრდ.-დასავლეთის კუთხესთან აღმართული სამრეკლო XIII ს. შემდგომ ხანას მიეკუთვნება.

ლიტ.: ზაქარაია პ., XI — XVIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, [ტ.] 1, თბ., 1975; Шмерлинг Р. О., Самтавро — памятник XI века, «ქართული ხელოვნება», 1942, ტ. 1.

სამთავროს სამაროვანი, ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანის — ახ. წ. X ს. არქეოლოგიური ძეგლი, ძვ. მცხეთის ჩრდ. განაპირა მხარეს (ფართობი დაახლ. 18 *ჰა*); არქეოლ. გათხრების დროს (XIX ს. 70—80-იანი წწ. ფ. ბაიერნი; ფართო მასშტაბით 1938-იდან, ა. კალანდაძე) შესწავლილია 3000-მდე სხვადასხვა ტიპის სამარხი და დადგენილია ძეგლის სტრატიგრაფია. უძველესი კულტ. ფენა (ადრინდ. ბრინჯაოს ხანა) შეიცავდა არქაულ კერამიკას, ქვის იარაღსა და შენობათა დამწვარ ნაშთებს. შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხებში (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) ნაპოვნია ბრინჯაოს იარაღი, მძივები, ოქროს სამკაული და სხვ. განსაკუთრებით მრავალფეროვანი არქეოლ. მასალა აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანისა (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ.) და ადრინდ. რკინის ხანის (ძვ. წ. IX—V სს.) ორმოსამარხებში. მათში იყო გაპრიალებული გეომეტრიულორნამენტიანი და მოჭიქული კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი, ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები, ბრინჯაოს, ბეჭის, სარდიონის, აქატისა და სხვ. სამკაული, ბრინჯაოს ცხოველთა ქანდაკებები და მრავალი სხვა ნივთი. ქვევრსამარხები თარიღდება ძვ. წ. II—I სს-ით, ხოლო ქვისსამარხები, სარკოფაგები, კრამიტსამარხები, ქვათლილებით ნაგები აკლდამები, თიხის ფილასამარხები და აგურსამარხები I—III სს-ით. ნაპოვნია მონეტები, ეპიგრაფიკული ძეგლები (ბერძნ. და ებრაული წარწერები), მხატვრული ხელოსნობის ნიმუშები, მრავალრიცხოვანი სამკაული (ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, საკიდები, მრავალნაირი ქვით შემკული მედალიონები, გემები და სხვ.), ვერცხლისა და მინის მხატვრული ჭურჭელი. IV—IX სს. ქვაყუთებსა და თიხის სარკოფაგებში აღმოჩენილი მასალა ასახავს ადრინდ. ფეოდ. ურთიერთობებს. მრავალადაა აღმოჩენილი მინის ადგილ. ჭურჭელი. სამთავროს გათხრების შედეგად შესაძლებელი გახდა როგორც მცხეთის, ისე აღმ. საქართველოს ისტ. ქრონოლოგიური სქემის დადგენა 3 ათასწლეულის მანძილზე. გათხრები გრძელდება.

ლიტ.: კალანდაძე ა., სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა IV, თბ., 1980; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; ჩუბინიშვილი ტ., მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957; Иващенко М. М., Самтаврские погребения первых трех веков н. э., Мцхета III, Тб., 1980.

ა. კალანდაძე.

სამთა კავშირი 1882, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. ჩამოყალიბდა 1879—82. ავსტრ.-გერმ. ხელშეკრულების (1879) დადების შემდეგ, გერმანიამ გამოიყენა იტალ.-საფრ. კონფლიქტის გამწვავება და დაითანხმა იტალია ხელი მოეწერა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან საიდუმლო სამოკავშირო ხელშეკრულებისათვის 1882 წ. 20 მაისს ვენაში. ხელშეკრულება მიმართული იყო საფრ. და რუს. წინააღმდეგ. გერმანია მიისწრაფოდა გამოეყენებინა ს. კ. ევროპაში ჰეგემონიისათვის, ს. კ. ითვალისწინებდა გერმ. და ავსტრ.-უნგრ. სამხ. დახმარებას იტალიისათვის, თუ მას თავს დაესხმოდა საფრანგეთი. იტალია ვალდებული იყო დახმარებოდა გერმანიას, თუ მას საფრანგეთი დაესხმოდა. ავსტრია-უნგრეთს გერმანიაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა ომში საფრ. მხარეზე რუსეთის ჩაბმამდე (მუხ. 2). იტალია უარს ამბობდა სამხ. დახმარება გაეწია მოკავშირეებისათვის, თუ ისინი დაიწყებდნენ ომს დიდ ბრიტანეთთან. ს. კ. დაიდო 5 წლის ვადით. რამდენჯერმე ვადის გაგრძელების შემდეგ 1915-მდე იარსება.

ი. კობახიძე.

სამთამადნო მრეწველობა, რკინის, მანგანუმის მადნის, ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების მოპოვებისა და პირველადი გადამუშავების დარგების კომპლექსი.

სსრკ-ში სხვადასხვა სახის მინერ. ნედლეულის უზარმაზარი პოტენციური რესურსებია. მას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს მანგანუმის, რკინის მადნის, ბოქსიტების, სპილენძის, ტყვიის, ნიკელის, ვოლფრამისა და სხვა ლითონების დაზვერილი მარაგის მიხედვით. სსრკ-ში 1913 მოიპოვეს 9, 2, 1960 წ. — 106, 1970 წ. — 195,5, 1982 წ. — 244,4 მლნ. ტ რკინის მადანი. სსრკ-ში რკინის მადნის უდიდესი საბადოებია კრივოი-როგში, კურსკში, კუსტანაის ოლქში და სხვ. მანგანუმის საბადოებიდან ცნობილია ჭიათურისა (საქართველო) და ნიკოპოლის (უკრაინა) საბადოები.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო 1879. მანგანუმის მრეწველობას ამჟამად წამყვანი ადგილი უჭირავს როგორც ჩვენი რესპ., ისე სსრკ ს. მ-ში. 1940 საქართველოში მოიპოვეს 1449, 1970 — 1569, ხოლო 1981 — 2734 ათ. ტ სასაქონლო მანგანუმის მადანი. ქიმ. შედგენილობის მიხედვით ჭიათურის მანგანუმი უკეთესია ნიკოპოლის მადანზე.

ფერადი ლითონებიდან საქართველოში მოიპოვებენ სპილენძს, ტყვიასა და თუთიას (*მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთიის საბადო*) ამ საბადოს ამუშავებს და მადანს ამდიდრებს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (ბოლნისის რ-ნი) ხოლო *კვაისის ტყვია-თუთიის საბადოს* — კვაისის მალაროთა სამმართველო (ჯავის რ-ნი, სამხრ. ოსეთის აო).

მადნეულის ნედლეული „ძირითად" ელემენტებთან (ალუმინი, სპილენძი, ტყვია თუთია, ნიკელი და სხვ.) ერთად შეიცავს თანმხლებ ელემენტებსაც (მაგ., ოქრო, ვერცხლი, კობალტი და ა. შ.).

მსოფლიოში ყველა მადნის 65%-ს მოიპოვებენ ეკონომიკურად ხელსაყრელი ღია (კარიერული) წესით. ჭიათურის საბადოს ამუშავებენ როგორც ღია, ისე მიწისქვეშა წესით. მადნეულის საბადოს ამუშავებენ ღია წესით, კვაისის საბადოს კი მიწისქვეშა წესით (იხ. აგრეთვე სტ. *მოპოვებითი მრეწველობა*).

გ. ტაბატაძე.

სამთაწყარო, სოფელი წითელწყაროს რ-ნში (არხილოსკალოს სოფსაბჭო), მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 350 *მ*, წითელწყაროდან 48 *კმ*. ს. კიროვის სახ. არხილოსკალოს კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა). რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი, ფოსტა.

სამთისი, სოფელი ონის რ-ნში (ბარის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1000 *მ*, ონიდან 25 *კმ*. სორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. სორში (8 *კმ*). ბ-კა.

სამთო არტილერია, არტილერიის სახეობა, რ-იც მთებსა და უსწორმასწორო, ძნელად გასასვლელ ადგილებში მოქმედებისათვისაა განკუთვნილი. შეიარაღებულია მსუბუქი ზარბაზნებით, ჰაუბიცებითა და ნაღმსატყორცნებით. ორგანიზაციულად შედის მთაში საბრძოლველად განკუთვნილი ჯარის შემადგენლობაში. ს. ა. ჩაისახა ევრ. არმიებში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დამდეგს. დიდ სამამულო ომში (1941—45) საბჭ. ს. ა. ითვლიდა დაახლ. 2,5 ათ. სამთო ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს.

სამთო განათლება, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ინჟინერთა, ტექნიკოსთა და კვალიფიციურ მუშათა მომზადების სისტემა.


პირველი სამთო სკოლები ევროპაში გაიხსნა XVIII ს-ში (20-იანი წლებიდან— რუსეთში).

თანამედროვე უმაღლესი სამთო განათლება, როგორც პოლიტექ. განათლება, შეიცავს სასწ. დისციპლინების 3 ციკლს: ზოგადსამეცნ., ზოგადსაინჟინრო და სპეც. დისციპლინების ციკლებს. სპეც. მაპროფილებელი დისციპლინებია: უმაღლესი გეოდეზია, სამარკშაიდერო საქმე, წიაღის გეომეტრია, სამთო მანქანებისა და კომპლექსების გაანგარიშება, კონსტრუირებული წარმოება და ექსპლუატაცია; სამთო სამუშაოების ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია; სამთო სამუშაოების ტექნოლოგია და მექანიზაცია, გვირაბთა მოწყობა, სათანადო საწარმოო პროცესების ელექტრიფიკაცია, მექანიზაცია და ავტომატიზაცია და სხვ. უმაღლეს სამთო სასწავლებლებში ან სამთო ფაკ-ტებზე სწავლების ვადა 5—5,5 წელია.

1983 სსრკ-ში ს. მ-ს იღებდნენ მოსკ., არტემის სახ. დნეპროპეტროვსკის, გ. პლეხანოვის სახ. ლენინგრ., ვ. ვახრუშევის სახ. სვერდლოვსკის სამთო ინ-ტებში, კომუნარსკის (ვოროშილოვგრადის ოლქი), გ. ნოსოვის სახ. მაგნიტოგორსკის, ჩრდ. კავკ. (ქ. ორჯონიკიძე) სამთო-მეტალ. ინ-ტებში, კრივოი-როგის სამთამადნო, სერგო ორჯონიკიძის სახ. ციმბ. (ნოვოკუზნეცკი) მეტალ. ინ-ტებში, გროზნოსა და უფის ნავთობის, აკად. ი. გუბკინის სახ. მოსკ. ნავთობქიმ. და აირის მრეწველობის, ა. აზიზბეკოვის სახ. აზერბ. ნავთობისა და ქიმ. ინ-ტებში, ბელორ. (მინსკი), საქართვ. (თბილისი), შორეული აღმოსავლეთის (ვლადივოსტოკი), დონეცკის, ერევნის, ირკუსტსკის, ყაზ. (ალმა-ათა), კალინინის, კუიბიშევის, კიევის, კუზბასის (კემეროვო), ნოვოჩერკასკის, პერმის, ტალინის, ტაშკენტის, ტომსკის, უკრ. დაუსწრებელ (ხარკოვი), ფრუნზეს, ყარალანდის პოლიტექ. ინ-ტებში, ტიუმენის, ნორილსკის (სალამოს), კრამატორსკის ინდუსტრ. ინ-ტებში, კრასნოიარსკის ფერადი ლითონების, მოსკ. გეოლ. საძიებო ინ-ტებში, იაკუტსკის და პატრის ლუმუმბას სახ. ხალხთა მეგობრობის (მოსკოვი) უნ-ტებში.


საშ. ს. მ. (ტექნიკოსთა მომზადება) მოიცავს ზოგადსაგანმან. (საშ. სკოლის ფარგლებში), ზოგადტექ. და სპეც. დისციპლინათა ციკლებს (ზოგადტექ. და სპეც. დისციპლინათა ციკლების ნუსხა თითქმის იგივეა, რაც უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ნაკლები მოცულობისაა). სსრკ-ში სამთო საქმის ტექნიკოსებს ამზადებს 125 საშ. სპეც. სასწავლებელი. საქართველოში: ქუთ. სამთო-სამშენებლო, თბილ., და ტყიბულის ინდუსტრ. ტექნიკუმები.

თეორ. მომზადებასთან ერთად დიდი ადგილი (სასწ. დროს 25%) ეთმობა სა-




სამთავროს სამაროვანი. ადრინდელი ფეოდალური ხანის ქვის სამარხები.





სამთო კომბაინი: 1. ვიწრო გატანის მომპოვებელი კომბაინი 2კ—52 (მუშა ორგანო შნეკური ტიპისაა, იყენებენ 1,1 —1,6 *მ*. სისქის ფენების დასამუშავებლად); 2—ვიწრო გატანის მომპოვებელი კომბაინი მკ—67 (შემსრულებელი ორგანო დოლური ტიპისაა, იყენებენ 0,7—1,3 *მ* სისქის დამრეცი ფენების დასამუშავებლად); 4—გვირაბგასაყვანი კომბაინი პკ—3 (შემსრულებელი ორგანო გვირგვინა ტიპისაა, იყენებენ ნახშირის ფენაში გვირაბის გასაყვანად); 5—გვირაბგასაყვანი კომბაინი „კარაგანდა 7/15" (შემსრულებელი ორგანო პლანეტარული ტიპისაა, იყენებენ ნახშირის ფენაში გვირაბის გასაყვანად).



სამთო კომპასი: 1—ფუძე; 2—წრის ლიმბი; 3—მაგნიტური ისარი; 4—წვერო, რომელზეც ბრუნავს მაგნიტური ისარი; 5—მაგნიტური ისრის მოსაჭერი ხრახნი; 6—შეუღლა; 7—შეუღლას ლიმბი; 8—შეუღლას მომჭერი; 9—მაგნიტური ისრის ჩრდ. ბოლო.

წარმოო პრაქტიკას (როგორც უმაღლეს, ისე საშ. სპეც. სასწავლებელში). სამთო საქმის კვალიფიც. მუშებს ამზადებენ პროფტექნ. და ტექნ. სასწავლებლები (საქართველოში ამ პროფილის 10-მდე სასწავლებელია).

სამთო სპეციალობის სამეცნ. და პედ. კადრებს ამზადებს სამთო და სპეც. ინ-ტების ასპირანტურა.

სოციალ. ქვეყნებში ს. მ-ის სისტემა უახლოვდება სსრკ-ში მიღებულს. კაპიტალ. ქვეყნებში არსებობს უმაღლესი სამთო სკოლები, აკადემიები, ინ-ტები ან სამთო კოლეჯები და სკოლები უნ-ტების შემადგენლობაში.

სამთო გეომეტრია, მეცნიერება ბუდობის ფორმის გრაფიკული გამოსახულების, დედამიწის სიღრმეში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის გაანგარიშებაღრიცხვის და გვირაბების გაყვანასთან დაკავშირებით გეომ. ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდების შესახებ.

სამთო დარტყმა, გვირაბის მიმდებარე ნახშირის (ქანის) ფენის ზღვრულად დაძაბული ნაწილის მყიფე რღვევა, როდესაც დაძაბული მდგომარეობის ცვლილების სიჩქარე ამ უბანზე ჭარბობს მასში პლასტ. დეფორმაციით გამოწვეული ძაბვების რელაქსაციის ზღვრულ სიჩქარეს. ს. დ-ს თან სდევს მკვეთრი ხმაური, ნახშირის გამოტყორცნა, მტვრის წარმოქმნა და საპაერო დარტყმითი ტალღა, რ-იც იწვევს სამაგრის, მანქანებისა და დანადგარების ნგრევას; ნგრევის კერის მიმდებარე ქანების მასივის დრეკადი გაფართოების შედეგად წარმოიქმნება მძლავრი სეისმური ტალღები, რ-ებიც ათეულ და ასეულ *კმ*-ზე ვრცელდებიან. ს. დ-თან ბრძოლის პრობლემა აქტუალურია ნახშირისა და მადნეულის მრავალ შახტზე, მ. შ. ტყიბულის ქვანახშირის საბადოს შახტების ღრმა ჰორიზონტებისათვის. ს. დ-თან ბრძოლა შესაძლებელია ნახშირის ფენაზე *სამთო წნევის* შემცირებით (მაგ., მეზობელი ფენების წინსწრებითი დამუშავებით, მთელანების გარეშე მუშაობით და სხვ.) და ფენაში დრეკადი ენერგიის დაგროვების შეზღუდვით (მაგ., კამუფლეტური აფეთქების შედეგად ნახშირის გაფხვიერებით, ფენაში წყლის დაჭირხნით და სხვ.).

ლიტ.: Авершин С. Г., Горные удары, М., 1955; Горные удары и борьба с ними, Пермь, 1969.

სამთო ზედამხედველობა, იხ. *სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა*.

სამთო ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, რ-ებიც ამზადებენ სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ინჟინრებს. 1984 სსრკ-ში იყო: ლენინგრ. პლეხანოვის სახ. (1773), დნეპროპეტროვსკის არტემის სახ. (1899), მოსკ. (1930), სვერდლოვსკის ვ. ვახრუშევის სახ. (1916), კრივოიროგის (1922) ინ-ტები. სწავლების ვადა 5 წელია. ყველა ინ-ტს აქვს ასპირანტურა. დნეპროპეტროვსკის, ლენინგრ., მოსკ. და სვერდლოვსკის ინ-ტებს აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვისათვის მიღების უფლება, კრივოი-როგისას კი — მხოლოდ საკანდიდატოსი.

სამთო კანონმდებლობა, იმ იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, რ-იც აწესრიგებს ურთიერთობებს სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის სფეროში. სსრკში სამთო ურთიერთობათა საფუძველია წიაღზე სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრების უფლება, ამიტომ წიაღი გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის, იქმნება მისი გეგმიანი, რაციონალური, კომპლ. სარგებლობის პირობები.

წიაღი სარგებლობაში გაიცემა გეოლ. შესწავლისათვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის, იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რ-ებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, მაგ., მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხად, ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად და სხვ.

წიაღით სარგებლობა, როგორც წესი, შეუძლიათ სახელმწ., კოოპ. საზ. საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე სსრკ მოქალაქეებს. ს. კ-ის ძირითადი წყაროა: სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების კონსტიტუციები, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები (1975), მათ შესაბამისად მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კოდექსები და წიაღის კონონმდებლობის სხვა აქტები.

სამთო კომბაინი, კომბინირებული მანქანა, რ-იც ერთდროულად ასრულებს ორ პროცესს: სასარგებლო წიაღისეულს ან ქანს აცილებს მასივს და ტვირთავს სატრანსპ. საშუალებებზე. განასხვავებენ სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ (საწმენდ) და გვირაბების გასაყვან ს. კ-ებს.

მომპოვებელი ს. კ. დასამუშ. ფენის დახრილობის კუთხის მიხედვით არის დამრეცი (10—25°), დახრილი (25—45°) და ციცაბო (45—90°) ფენებისათვის; სისქის მიხედვით — ძლიერ თხელი, თხელი, საშ. და სქელი ფენებისათვის. კომბაინის შემსრულებელი ორგანო შეიძლება იყოს ბარისებრი, დოლური, შნეკური, გვირგვინა, პლანეტარული, საბურღი და სხვ., აგრეთვე ფართო- და ვიწრო პირმოდებისა, მუშაობის ტექნოლ. სქემის მიხედვით — ფლანგური, ფრონტალური და კომბინირებული.

გვირაბგასაყვან ს. კ-ს იყენებენ თარაზული და დახრილი გვირაბების გასაყვანად ნახშირში (ან სხვა სასარგებლო წიაღისეულში), ქანში ან ერთდროულად ნახშირისა და ქანის სანგრევში. გასაყვანი გვირაბის კვეთი შეიძლება იყოს სწორკუთხა, ტრაპეციისებრი, წრიული და თაღური. სანგრევის დამუშავების ხერხის მიხედვით ს. კ. არის ციკლური და უწყვეტი მოქმედებისა. შემსრულებელი ორგანო შეიძლება იყოს ბარისებრი, გვირგვინა, როტორული, პლანეტარული და კომბინირებული; მაძრავის ტიპის მიხედვით კი — მუხლუხებიანი, თვლიანი, მაბიჯი და სხვ;

ლიტ.: Проходческий комбайн «Караганда 7/15», М., 1969.

ი. კალატოზიშვილი.

სამთო კომპასი, ქანების განლაგების ელემენტების (განვრცობისა და დახრილობის მიმართულების, აგრეთვე დახრის კუთხის სიდიდის) განმსაზღვრელი ხელსაწყო; წარმოადგენს ალუმინის ან თითბრის სწორკუთხა ფირფიტაზე დამაგრებულ *კომპასისა* და შეუღლის კომბინაციას (ნახ.)

სამთო მექანიკის ინსტიტუტი გ. წულუკიძის სახელობის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა, დაარსდა 1957 საქ. სსრ მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტის სამთო განყოფილებისა და ნახშირის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალის გაერთიანების შედეგად სამთო საქმის ინ-ტის სახელწოდებით (1969-იდან ეწოდა სამთო მექან., საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზ. ინ-ტი, ხოლო 1970-იდან — ს. მ. ი.)

ინ-ტის ლაბორატორიებში ტარდება სამეცნ.-კვლ. სამუშაოები სამთო მეცნ. უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება, სამთო საწარმოთა მშენებლობა, ქანების ფიზიკა, სამთო წნევა და მაღაროს აეროლოგია, სახ. მეურნეობაში აფეთქების ენერგიის გამოყენება, სამთო მანქანები, ბაგირგზები, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება და სხვ.). ინ-ტი წამყვანი დაწესებულებაა სსრკ-ში მანგანუმის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების, მაღაროს აეროლოგიის, ჰიდრომექანიზაციისა და კიდული ბაგირგზების დარგებში. დიდ დახმარებას უწევს რესპ. სამთო საწარმოებს. ინ-ტი ყოველწლიურად გამოსცემს თემატიკურ კრებულებს; აქვს ასპირანტურა, სამეცნ. ექსპერ. ბაზა და ნახევრად საწარმოო საცდელი დანადგარები ს. მ. ი. ერთობლივ სამუშაოებს ატარებს ჩეხოსლ. სრ-ის, ბულგ. სრ-ის, პოლ. სრ-ის, გდრ-ის სამთო პროფილის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებთან.

ა. ძიძიგური.

სამთო მეცნიერება, შეისწავლის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა განლაგების ბუნებრივ პირობებს, ქანების სიზრქეში გვირაბების გაყვანით გამოწვეულ ფიზ. მოვლენებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გამდიდრების, აგრეთვე საბადოს უსაფრთხო და ეკონ. დამუშავების მეთოდებს, წარმოების ორგანიზაციის საკითხებს.

ს. მ-ის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: შეიქმნას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ახ. მაღალეფექტური მეთოდები, რაც დიდი მწარმოებლურობის მანქანების გამოყენების საშუალებას მოგვცემს, განხორციელდეს საწარმოო პროცესების ავტომ. მართვა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების საშუალებით; შეიქმნას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გამდიდრების პრინციპულად ახ. პროგრ. ხერხები, ქანების რღვევის მაღალეფექტური საშუალებები და სხვ. ს. მ-ის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ., ფიზ., ქიმ., კიბერნ., გეოფიზ. და გეოლ. მიღწევებთან.

ს. მ. მოიცავს საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიას, სამთო საწარმოს უსაფრთხო მუშაობის ნორმალიზაციის, სამთო ეკონ. და წარმოების ორგანიზაციას. თავის მხრივ თითოეული ეს ნაწილი შეიცავს რამდენიმე სამეცნ. მიმართულებას (მაგ., სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მიწისქვეშა და ღია წესით დამუშავების მეთოდები, ქანების მექანიკა და რღვევა, სამთო გეომეტრია და მარკშაიდერია, სამთო სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დიდი სიღრმეების ათვისება, მაღაროს ტრანსპორტი, საშახტო დანადგარებისა და ბაგირგზების მუშაობის თეორია, უსაფრთხოების ტექნიკა, სამთო ჰიდროაერომექანიკა და აეროლოგია, სამთო თბოტექნიკა და სხვ.).

ს. მ-ის დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ იგი სსრკ-ში განვითარდა დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში; სამეცნ. კვლევები მიმდინარეობს რამდენიმე ათეულ სამეცნ.-კვლ. და უმაღლეს ტექ. სასწავლებლებში, მ. შ. ა. სკოჩინსკის სახ. *სამთო საქმის ინსტიტუტში*, სსრკ მეცნ. აკად. წიაღისეულის კომპლ. ათვისების პრობლემების ინ-ტში, სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის სამთო საქმის ინ-ტში, უკრ. სსრ მეცნ. აკად. გეოტექმექან. ინ-ტში, ყირგ. სსრ მეცნ. აკად. ქანების ფიზ. და მექან. ინ-ტში, ყაზ. სსრ მეცნ. აკად. სამთო საქმის ინ-ტში, საქ. სსრ მეცნ. აკად. გ. წულუკიძის სახ. *სამთო მექანიკის ინსტიტუტში*; ვ. ლენინის სახ. *საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში*, აგრეთვე დონეცკის, კიევის, ყარაღანდის, ტაშკენტის, ტომსკის, ტულის პოლიტექ. ინ-ტებში, მოსკ. ლენინგრ., სვერდლოვსკისა და დნეპროპეტროვსკის სამთო ინ-ტებში, მაკეევკის, კრივოი-როგის, ხარკოვის, დონეცკის, საუწყებო ინ-ტებში და სხვ.

სამეცნ. დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციას ახორციელებენ სსრკ მეცნ. აკადემიასთან და სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტთან არსებული სამეცნ. საბჭოები.

ს. მ-ის მიღწევების საფუძველზე სსრკ სამთო მრეწველობაში დაინერგა სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების მაღალმწარმოებლური, უსაფრთხო და პრინციპულად ახ. მეთოდები, ქანების

რლვევის ხერხები, კომპლ. მექანიზაციის საშუალებები, გვირაბების გასაყვანი ავტომატიზებული აგრეგატები და სხვ.

ს. მ. საქართველოში განვითარდა უმთავრესად დიდი სამამულო ომის შემდეგ (იხ. აგრეთვე ქსე, ტ. *საქართველოს სსრ*, თავი მეცნიერება, გვ. 213).

ლიტ.: ძ ი ძ ი გ უ რ ი ა., სამთო მეცნიერება საქართველოში, «მეცნიერება და ტექნიკა», 1971, № 4; М е л ь н и к о в Н. В., Горная наука (задачи в связи с развитием промышленности), М., 1964; Современное состояние горной науки в СССР, М., 1968. *ა. ძიძიგური.*

სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი („ვნიიგორსელმაში"), ჩამოყალიბდა 1971, სას.-სამ. მანქანების ქ. თბილისის სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროსა და საქართვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჩაის საპრობლემო ლაბორ. ბაზაზე, აქვს 13 განყ-ბა და ლაბორატორია.

ინ-ტის ძირითადი ამოცანაა სამთო მიწათმოქმედების, ჩაისა და სუბტროპ. კულტურების, თამბაქოს, წეკოსა და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანის, აღებისა და პირველადი დამუშავების შრომატევად პროცესთა მექანიზაციისათვის მანქანათა კომპლექსების შექმნის სამეცნ.-ტექ. პრობლემების გადაწყვეტა, მანქანათა დანადგარების შექმნა, საუწყებო გამოცდების ჩატარება, კონსტრუქციების უნიფიკაცია, უნიფიკაცია, ხანგამძლეობისა და საიმედოობის გამოკვლევა, დამზადების პროგრ. ტექნოლ. პროცესების შესწავლა, დამუშავება, დანერგვა და სხვ.

ინ-ტს დაევალებული აქვს სამთო მიწათმოქმედების, ჩაისა და სუბტროპ. კულტურების, აგრეთვე თამბაქოსა და წეკოს აღებისა და პირველადი დამუშავების მანქანათა კომპლექსებზე სათავო საკონსტრუქტორო ფუნქციები.

სამთო სამაგრი, იგივეა რაც *მაღაროს სამაგრი*.

სამთო საქმე, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რ-იც მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ამოღების) პროცესებს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას წინ უსწრებს საბადოს სადაზვერვო სამუშაოები. მყარ სასარგებლო წიაღისეულს მოიპოვებენ *მიწისქვეშა დამუშავებით* ან *ღია სამთო სამუშაოებით*. ვითარდება და ინერგება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უშახტო გეოტექნოლ. მეთოდები (*მ.შ., მიწისქვეშა გამოტუტვა, ბაქტერიული გამოტუტვა*). დიდ სიღრმეზე ნავთობისა და აირის მოსაპოვებლად პროდუქციულ ფენაზე ხელოვნურად ზემოქმედებენ. ვითარდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ზღვის ფსკერიდან, განსაკუთრებით ნავთობისა და აირის (იხ. *საზღვაო ნავთობის სარეწები*). დიდი მიღწევებია სასარგებლო წიაღისეულის *გამდიდრებისა* და ქანების ფიზ. თვისებების შესწავლაში, რაც ახ. ეფექტური სამთო მანქანების კონსტრუირების საშუალებას იძლევა.

ს. ს. ცნობილი იყო ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების საწყის სტადიაზე. პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში კაჟის მოსაპოვებლად გაჰყავდათ მიწისქვეშა გვირაბები მადანს ანგრევდნენ ქვის იარაღით და ირმის რქის წერაქვებით. მონათმფლობელური წყობილების დროს იწყება სპილენძისა და კალის, აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის მადნების მოპოვება. ქანების დასარღვევად წერაქვებთან ერთად იყენებდნენ ცეცხლს ცენტრ. ევრ. ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის უძველესი მაღაროები საქართველოში ამ პერიოდის მაღაროები აღმოაჩინეს ზემო რაჭაში, სადაც ცეცხლური წესით სტიბიუმის მადნს მოიპოვებდნენ. XI—XIII სს-ებში ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა მინერ. ნედლეულის მოპოვება. საქართველოში, ბოლნისის რ-ნში, შიმორჩენილია ძვ. მაღაროები, სადაც ხდებოდა *რკინის* მადნის მოპოვება. XV—XVI სს-ში ევროპაში ს. ს-ის განვითარებაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. დაიწყეს ქანების მონგრევა *აფეთქებით სამუშაოებით*, რამაც თანდათანობით განდევნა ქანების ცეცხლით რღვევის მეთოდი; საქსონიაში ღარიბი მადნების მოპოვებისას შემოიღეს სველი გამდიდრების ხერხი; დაარსდა პირველი სამთო სკოლები; გ. *აგრიკოლამ* დაწერა პირველი სახელმძღვანელო „სამთო საქმისა და მეტალურგიის შესახებ"; დაიწყო ორთქლის მანქანების გამოყენება. XIX ს. დასაწყისში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სამთო მრეწველობაში ფართოდ დაიწყო ტექ. გამოყენება. ს. ს. განსაკუთრებით მაღალი ტემპით ვითარდება XX ს. დასაწყისიდან, როდესაც მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება მინერ. ნედლეულზე. XX ს. 50-იანი წლებიდან იწყება ს. ს-ის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. ნახშირის მონგრევა საწმენდ სანგრევებში წარმოებს სამთო კომბაინებით, ხოლო გამოტანა — *კონვეიერებით*; იქმნება ნახშირის მოპოვების ნაკადური ტექნოლოგია; მადნეული საბადოების დასამუშავებლად ამ პერიოდში შეიქმნა მაღალმწარმოებლური *საბურღი დანადგარები*, სატვირთავი მანქანები, თვითმავალი ვაგონები და სხვ.; მნიშვნელოვნად გაიზარდა საბადოების დამუშავების სიღრმე. ამჟამად შახტებისა და მაღაროების სიღრმე 1000 *მ*-ს აღემატება, ხოლო ზოგ შემთხვევაში 4000 *მ*-ს აღწევს. სულ უფრო ფართოვდება საბადოების ღია მეთოდით დამუშავება. თანამედროვე *კარიერებში* იყენებენ დიდი მწარმოებლურობის *ექსკავატორებს*, დრაგლაინებს, *ბულდოზერებს*, სავატ. და საკონვეიერო ტრანსპორტს. სსრკ-ში ყოველწლიურად ხდება ასეული მილიონობით ტ ნახშირის, რკინის, მანგანუმის, სპილენძის, საშენი მასალებისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

ლიტ.: А г о ш к о в М. И., М а л а х о в Г. М., Подземная разработка рудных месторождений, М., 1966; Б о к и й Б. В., Горное дело, 3 изд., М., 1959; М е л ь н и к о в Н. В., Минеральное топливо, 2 изд., М., 1971; Ш е в я к о в Л. Д., Разработка месторождений полезных ископаемых, 4 изд., М., 1963.

ი. ზურაბიშვილი

სამთო საქმის ინსტიტუტი ა. სკოჩინსკის სახელობისა, სსრკ ნახშირის მრეწველობის საუწყებო ინ-ტი; ამუშავებს სამთო მეცნიერებისა და ნახშირის მრეწველობის ტექ. პროგრესის პრობლემებს; მდებარეობს ქ. ლიუბერციში (მოსკ. ოლქი); დაარსდა 1938 სსრკ მეცნ. აკად. სისტემაში. 1959 გაერთიანდა ნახშირის საკაშ. სამეცნ. ინ-ტთან. ინ-ტის ძირითადი თემატიკაა: ნახშირის მიწისქვეშა ამოღების ტექნოლოგია, სამთო წარმოების კომპლ. მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მაღაროს აეროლოგია, სამთო მექანიკა და სხვ. ინ-ტს აქვს საცდელი ქ-ნა, საკონსტრუქტორო ბიურო, ასპირანტურა; გამოსცემს სამეცნ. შრომებს (1954-იდან).

სამთოსაშველო მოწყობილობა, ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა, რ-საც იყენებენ მაღაროებსა და შახტებში ავარიაში მოხვედრილი ადამიანების გადასარჩენად და ავარიის სალიკვიდაციოდ. ს. მ-ს მიეკუთვნება: სუნთქვისათვის უვარგისსა და მაღალტემპ-რიან ატოსფეროში მუშაობისათვის განკუთვნილი ინდივიდ. დაცვის მაიზოლირებელი რეგენერაციული რესპირატორები (რ-12 და ურალ-1 მ; მათი დამცავი მოქმედების დრო 4 *სთ*, მასა 14 *კგ*); დამხმარე რესპირატორები (რეგ.-1 და კიპ-8; დამცავი მოქმედების დრო 4 *სთ*, მასა 14 *კგ*); ქიმიურად ბმული ჟანგბადით მომუშავე რხ-1 ტიპის რესპირატორები (დამცავი მოქმედების დრო 5 *სთ*, მასა 11 *კგ*); აირთბოდამცველი ავტონ. სკაფანდრი „გატესკაფ-1" (გამოიყენება მაღაროს ხანძრების ლიკვიდაციის დროს სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში მუშაობისას 100°C ტემპ-რამდე 1 *სთ* განმავლობაში); აირთბოდამცველი ნახევრად ავტონ. კოსტუმი გტკ (გამოიყენება მაღაროს ხანძრების ლიკვიდაციის დროს სუნთქვისათვის უვარგის ატოსფეროში მუშაობისას 150°C ტემპ-რამდე 45 *წთ* განმავლობაში).

მიწისქვეშ მომუშავე პერსონალი მომარაგებულია თვითმაშველებით, რ-ებიც შახტში ავარიის დროს სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროს პირობებში მომუშავეებს იცავენ მოწამვლისაგან. შექმნილია მფილტრავი (სპ და სპე) და მაიზოლირებელი შს-7 ტიპის თვითმაშველები. მფილტრავ თვითმაშველს იყენებენ მაშინ, როდესაც ჟანგბადის რაოდენობა მაღაროს ატმოსფეროში 17%-ზე ნაკლები არ არის. მაიზოლირებელი თვითმაშველი მომარაგებულია ქიმიურად ბმული ჟანგბადით, რ-იც უზრუნველყოფს ნორმალურ სუნთქვას 1 *სთ* განმავლობაში ნებისმიერად სარში აირის ატმოსფეროში. შახტებსა და მაღაროებში ავარიის დროს დაზარალებულთათვის პირველი სამედ. დახმარების აღმოსაჩენად იყენებენ ხელოვნური ხუნთქვის აპარატებს (გს-5 და გს-8), ინგალატორებს (ილა) და ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატს (ივლ.).


მიწისქვეშა ხანძრის კერაში წყლის მისაწოდებელი პორტატიული ტუმბოების გარდა იყენებენ მძლავრ ტექ. საშუალებებს (ორთქლ-აირის გენერატორები, ქაფგენერატორული დანადგარები და სხვ.). მაღაროს ატმოსფეროს შედგენილობის საკონტროლოდ იყენებენ *აირანალიზატორებს*. ხანძრის ზონიდან ტემპ-რის შესახებ ინფორმაცია დიდ მანძილზე (1500 *მ*-მდე) გადაიცემა ტემპ-რის დისტანციური საზომით (დეტ-1). ჩამოქცეულ სივრცეში მოხვედრილი მუშების საძებნად იყენებენ *გეომაგნიტოფონებს*, ხოლო ჩამოქცეული გვირაბების აღსადგენად.-სპეც. საბურღ დანადგარებს, სამთო მანქანებსა და სხვ.

ლიტ.: Приборы, аппараты и оборудование горноспасательной службы. Каталог-справочник, М., 1968. *ვ. კაშიბაძე.*


სამთოსაშველი საქმე, მახტებსა და მაღაროებში ავარიაში მოხვედრილი ადამიანების გადარჩენისა და ავარიის ლიკვიდაციის სამსახური. მეტად საშიში ავარიებია მაღაროს აირის (მეთანის), ნახშირისა და ალმადანის მტვრის აფეთქება, მიწისქვეშა ხანძრები; ნახშირისა და მეთანის უეცარი გამოტყორცნა; სამთო დარტყმები; გვირაბებში მცურავი ქანებისა და წყლის გამოხეთქვა და სხვ. ავარიის დროს ნახშირჟანგით მოწამვლისაგან თავდასაცავად მეშახტეები მომარაგებული არიან პორტატიული მფილტრავი ან მაიზოლირებელი აირწინაღებით—თვითმაშველებით. მეშახტეთა გადასარჩენად და ავარიის სალიკვიდაციოდ ჩამოყალიბებულია სამთომაშველი სამსახური.

პირველი სამთომაშველი რაზმები შექმნილი იყო XIX ს. პირველ ნახევარში ინგლისსა და გერმანიაში. რუსეთში პირველი სამთოსაშველი სადგური გაიხსნა 1907 მაკეევკაში (დონეცკის აუზი). 1927 ამ სადგურის ბაზაზე ჩამოყალიბდა საკავშ. მნიშვნელობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (მაკნიი). 1932 სამთოსაშველი სადგურების ხელმძღვანელობა ცენტრალიზებულ იქნა, ხოლო 1934-იდან ამ სადგურების პირადი შემადგენლობა გასამხედროებულია, და ეწოდა გასამხედროებული სამთომაშველი ნაწილები (გსმნ). 1934—36 წლებში ნახშირის, ფერადი და შავი მეტალ., ქიმ. მრეწვ. სახ. კომისარიატების (შემდგომ სამინისტროების) შექმნის შემდეგ ყველა სამინისტროს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა გსმნ-ები.

სამთომაშველი სამსახურის ძირითადი



სამთოსაშველი მოწყობილობა. ნახ. 2. ქიმიურად ბმულჟანგბადიანი მაიზოლირებელი შს-7 თვითმაშველის სქემა: 1—სარეგენერაციო ვაზნა; 2—ასამუშავებელი მოწყობილობა; 3—სასუნთქი პარკი; 4—ჭარბი აჟარის ყარქველი; 5—გოფრირებული შლანგი; 6—საბურე; 7—ცხვირის მოსაჭერი; 8—ჟანგბადის შემცველი გრანულირებული მასა; 9—სექციური თბო. მანაწილებელი; 10—მოძრავი ბადე; 11—ფილტრი; 12—ლითონის ბუდე; 13—რეზინის ამორტიზატორი; 14—სამხრე ღვედი.



სამთოსაშველი მოწყობილობა. ნახ. 1. მაიზოლირებელი რესპირატორი რ—12-ის პრინციპული სქემა: 1—ამოსუნთქული აჟარის შლანგი; 2—ამოსუნთქული აჟარის ყარქველი; 3—სარეგენერაციო ვაზნა, რომელშიც მოთავსებულია ნახშირორჟანგის ქიმიური შთანთქმელი; 4—სასუნთქი პარკი; 5—სასუნთქი აჟარის ყარქველი; 6—შესასუნთქი აჟარის შლანგი; 7—სასუნთქი პარკიდან ჟარბი აჟარის გამოსაშვები სარქველი; 8—ფილტვის ავტომატი; 9—სატროსელო სარქველი; 10—მანომეტრი; 11—შეკუმშული ჟანგბადის ბალონი; 12—ავარიული სარქველი; 13—მაგიდოზირებელი ხვრელი.

ოპერატიული ერთეულია ოცეული, რ-იც შედგება 3 ან 6 ქვედანაყოფისაგან. გსმნ-ის დისლოკაცია და მისი შახტებთან დაკავშირების გზები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ სამთო რაზმი გამოძახების შემდეგ ავარიის ადგილზე გამოცხადდეს არა უგვიანეს 10 წთ განმავლობაში, ხოლო სხვა ქვედანაყოფები — 20—40 წთ-ში. ყველა სახეობის ტრანსპ. მძღოლები ვალდებულ ი არიან, პირველ რიგში, გაატარონ სამთო-გაშველი რაზმის ტრანსპორტი. გმსნ-ის დისლოკაცია ხდება განცალკევებულ ტერიტორიაზე, რ-ის კომპლექსში შედის სამსახურებრივი შენობა, საცხოვრ. სახლები, სასწ. შახტი და სამეურნეო ნაგებობები.

ლიტ.: Соболев Г. Г., Горноспасательное дело, М., 1972; Хейфиц С. Я., Балтайтис В. Я., Охрана труда и горноспасательное дело, М., 1979.

ვ. კაშიბაძე.

სამთო-ქიმიური მრეწველობა, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის დარგი, ქიმ. ნედლეულის (აპარატისა და ფოსფორიტული მადნის, ბუნებრივი კალიუმის მარილების, სხვადასხვა ნივთიერების მადნების, გოგირდის, ბორის, დარიშხანის, ბარიუმის, ბარიტის, იოდის, ბრომის) მომპოვებელ, გამამდიდრებელ და დამმუშავებელ საწარმოთა კომპლექსი. ს. ძ. მ-ის ეკონ. მნიშვნელობა იზრდება მინერ. სასუქების წარმოების განვითარების შედეგად. სსრკ ქიმ. მრეწვ. სანედლეულო ბალანსში ს.-ძ. მ-ის წილად მოდის 26 %, საქართველოში — 17%.

საქართვ. ტერიტ. მდიდარია მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ს.-ძ. მ-ის განვითარებისათვის. გამოვლენილია დარიშხანის, ბარიტის, დიატომიტის (ინფუზორიული მიწის), ანდეზიტის, ბუნებრივი საღებავების, ბენტონიტური თიხების, გლაუბერის მარილის (მირაბილიტის), ცეოლითების, პერლიტის და სხვ. წიაღისეულის სამრეწვ. მნიშვნელობის მარაგი.

საქართველოში ს.-ძ. მ-ის ნედლეულის ზოგიერთი საბადოს (*ქისათიბის დიატომიტის საბადო,* ე. წ. ქუთაისის ჯგუფის ბარიტის საბადოები) ექსპლუატაცია დაიწყო ჯერ კიდევ XIX ს-ში. მოპოვებული სამთო-ქიმ. ნედლეული მთლიანად გაპქონდათ საზღვარგარეთ, რადგან ადგილობრივ არ იყო მათი გადასამუშ. საწარმოები.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს.-ძ. მ. სწრაფად განვითარდა. პირველი ხუთწლედების პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა ბენტონიტური თიხის (წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტ., სოფ. გუმბარა; მახარაძის რ-ნი, სოფ. ასკანა), ანდეზიტის (ყაზბეგის რ-ნი), ბარიტის (ონის რ-ნი, სოფ. როდი), დარიშხანის (ამბროლაურის რ-ნი, სოფ. ურავი) და სხვა ს.-ძ. მ-ის საწარმოები. 1941 საქართვ. ს.-ძ. მ-ის მთლიანი პროდუქციის მოცულობამ 13-ჯერ გადააჭარბა 1927—28 წწ. შესაბამის მაჩვენებელს.

საქართვ. ს.-ძ. მ-ის პროდუქციას იყენებენ სსრ კავშირის ქიმ., ნავთობქიმ., ნავთობმომპოვებელ, მეტალ., მანქანათმშ., კვების, მსუბუქი, სამედ., ხე-ტყის გადასამუშ. და სხვ. დარგებში.

ამჟამად რესპუბლიკაში 11 ს.-ძ. მ-ის საწარმო ფუნქციონირებს, მათგან 9 საწარმოს აერთიანებს საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმია". 1983 საქართვ. ს.-ძ. მ-ის პროდუქციის მოცულობამ 1960 დონეს, გადააჭარბა 8,9-ჯერ, ხოლო 1970-ისას 3,9-ჯერ. შენდება ანდეზიტის ქვის სხმულების ახ. საწარმო. გაუმჯობესდა საწარმოთა ეკონ. მაჩვენებლები და ამაღლდა ეფექტიანობა. დარგის ყველა საწარმოში ინერგება პროდუქციის მოპოვებისა და გადამუშავების მოწინავე მეთოდები. უმჯობესდება მომუშავეთა შრომის პირობები.

ლიტ.: Калмыков Н. Н., Вайсберг С. А., Экономика социалистической химической промышленности, М., 1967; Минеральные ресурсы капиталистических стран, под ред. Н. А. Быковера, М., 1964.

ნ. გოგიძე.

სამთო ფენა, გვირაბის ირგვლივ ქანების მასივში მოქმედი ძალების ერთობლიობაა. ქანების ხელუხლებელ მასივში დაძაბულობის არეს განსაზღვრავს გრავიტაციული ძალები. ზოგჯერ დაძაბულობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ტექტონიკური ძალები და *გეოთერმიული გრადიენტი.* გრავიტაციული ძალებით გამოწვეული ძაბვები დამოკიდებულია ქანების ფიზ. თვისებებზე.

გვირაბის გაყვანის შედეგად ძაბვები განაწილდება, რაც განსაზღვრავს გაშიშვლებული ქანების წონასწორობის პირობებს. ხელუხლებელ მასივში მხოლოდ მკუმშავი ძაბვები მოქმედებს, გვირაბის ჭერსა და იატაკში თავს იჩენს გამჭიმი ძაბვები. ამასთანავე აღინიშნება მკუმშავი ძაბვების მნიშვნელოვანი სიდიდე გვირაბის კედლებში. თუ გვირაბის ირგვლივ მოქმედი ძალები გაშიშვლებული ქანის დეფორმაციას იწვევს მხოლოდ დრეკადობის ფარგლებში, მაშინ გვირაბის მდგრადობა უზრუნველყოფილია სამაგრის დადგმის გარეშეც, ხოლო თუ დეფორმაციები დრეკადობის ზღვარს სცილდება, მაშინ გამოვლინდება ს. წ. ქანების ჩამოქცევის, გვირაბის სამაგრზე წნევის, *სამთო დარტყმის,* ქანის უეცარი გამოტყორცნისა და სხვათა სახით. წნევა სამაგრზე იზრდება გარკვეული დროის განმავლობაში (პირველადი ს. წ.), რის შემდეგ ხდება მისი სტაბილიზება (დამყარებული ს. წ.). ს. წ-ის საკითხების შესწავლა *სამთო მეცნიერების* ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა.

ლიტ.: ცისკარიშვილი ე., ქანების მექანიკა და გვირაბების გამაგრება, თბ., 1958; Максимов А. П., Горное давление и крепь выработок, М., 1973.

ე. ცისკარიშვილი.

სამთო ჯარი, მთიან ადგილებში საბრძოლველად სავანგებოდ გაწვრთნილი საერთო-საჯარისო, საარტილერიო, საინჟინრო და სხვ. ნაწილები და შენაერთები. ს. ჯ. ჩვეულებრივ დაკომპლექტებულია მთიანი რ-ნის მცხოვრებთაგან და მომარაგებულია სამთო ფორმის ტანსაცმლითა და აღჭურვილობით. შედგება სამთო-მსროლელი (ქვეითი) პოლკების, ბრიგადებისა და დივიზიებისაგან, რ-ებიც შეიარაღებულია სამთო არტილერიითა და სხვადასხვა საბრძოლო საშუალებით.

„სამი იმპერატორის კავშირი", რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კავშირი, რ-საც საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრე II-ისა და ფრანც იოზეფ I-ის მიერ შენბრუნში (ვენის მახლობლად) 1873 წ. 25 მაისს (6 ივნ.) ხელმოწერილმა შეთანხმებამ. 1873 წ. 11 (23) ოქტ. მათ შეუერთდა ვილჰელმ I. იმპერატორებმა იკისრეს ვალდებულება, რომ უთანხმოებანი მოლაპარაკებით მოეგვარებინათ, ხოლო სხვა სახელმწიფოს მხრივ თავდასხმის შეშიშროების შემთხვევაში კონსულტაციები გაემართათ, ევროპაში მშვიდობა დაეცვათ. სამივე ქვეყნის პოლიტ. მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა: გერმანია ხელს უშლიდა რუს. დაახლოებას საფრანგეთთან; რუსეთი დასავლეთის საზღვრების უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიას კისრულობდა და, თავის მხრივ, ცდილობდა დაემუხრუჭებინა გერმანიის დაახლოება ავსტრია-უნგრეთთან. კავშირის კლასობრივი მიზანი იყო ძალების გაერთიანება რევ. მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კავშირმა ვერ დაძლია მ. შ. არსებული ძირითადი წინააღმდეგობანი და 80-იანი წწ. დამლეგს ფაქტობრივად დაიშალა.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია 1922, კომინტერნის (ნ. ბუხარინი, კ. რადეკი და სხვ.), ბერნის ინტერნაციონალისა (ე. ვანდერველდე, რ. მაკდონალდი და სხვ.) და „ინტერნაციონალი *II* $^1/_2$" (ფ. ადლერი, პ. ფორი, ი. ბაუერი და სხვ.) წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირი ბერლინში 2—5 აპრილს. მოწვეულ იქნა კომინტერნის ინიციატივით კაპიტალის შეტევისა და *ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების* (1919) მტაცებლური პირობების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ერთიანი მუშათა ფრონტის ორგანიზაციის მიზნით საბჭოთა რესპუბლიკის დასახმარებლად. ბერნისა და „II 1/2" ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა უარყვეს კომინტერნის ეს წინადადებები და წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნები მათ შორის მთავარი იყო: არ გამოეტანათ სიკვდილის განაჩენი საბჭ. რუსეთში მემარჯვენე ესერების მომავალ პროცესზე; პროცესზე დასწრების ნება დაერთოთ სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენლებისათვის, კომპარტიებს არ შეექმნათ თავიანთი უფლებები პროფკავშირებში; გაეყვანათ წითელი არმია საქართველოდან (მენშევიკების ხელისუფლების ალდგენის მიზნით). მიიღს რა დაპირება მემარჯვენე ესერების პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ, ისინი დაიანძმდნენ „ცხრათა კომისიის" შექმნაზე საერთაშორისო მუშათა კონგრესის მოსამზადებლად და გენუის კონფერენციასთან (.922) დაკავშირებით ერთიანი დემონსტრაციის მოსაწყობად. ამრიგად, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „...რამდენადმე ჩვენ შევანგრიეთ ჩაკეტილი შენობა" (იხ., გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 391). ამასთანავე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს ჯარმატება ძალზე ძვირად დაგვიჯდა. იგი აკრიტიკებდა კომინტერნის დელეგატებს საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის დიდ დათმობების გამო. ბერნისა და „II 1/2" ინტერნაციონალების ლიდერებმა ჩაშალეს ხელებული თანხმობა და 1922 მაისს „ცხრათა კომისიამ" მუშაობა შეწყვიტა.

სამინისტრო (ლათ. ministro — ვმსახურობ, ვემართავ), სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური დარგობრივი ორგანო, რ-საც მინისტრი მეთაურობს.

ს-ები თავდაპირველად დას. ევრ. ქვეყნებში შეიქმნა აბსოლ. მონარქიის განმტკიცების შედეგად (XVI—XVII სს.) და თანდათანობით ცენტრ. სამთავრობო დაწესებულებათა ერთიან სისტემად ჩამოყალიბდა. მინისტრი მისი დამნიშნავი მონარქის მითითებით მუშაობდა და უშუალოდ მის წინაშე იყო პასუხისმგებელი. ს-ების სისტემა არსებითად ხელუხლებელი დატოვა ბურჟ. რევოლუციებმა (მარტოდენ მეფის მომსახურებასთან დაკავშირებული ს-ები გაუქმდა). ზოგ ქვეყანაში კონსტ. მონარქიის დამყარებისა და *პარლამენტარიზმის* განვითარების დროიდან ს-ები პარლამ. ორგანოებად იქცა (დაწესდა ინისტრთა პასუხისმგებლობა პარლამ. წინაშე). რუსეთში ს-ები *კოლეგიების* ნაცვლად შეიქმნა, რაც ალექსანდრე I-ის 1802 წ. 8 სექტ. მანიფესტით გაფორმდა. 1811 გატარდა ს-ების რეფორმა (მ. *სპერანსკი* მიერ შემუშავებული პრინციპების საფუძველზე). ამის შემდეგ ს-ების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია და ისინი ამ სახით 1917-მდე დარჩა მეჩამულურ.-ბურჟ. რუს. ს-ები ოქტ. რევოლუციამ გააუქმა.

სსრკ-ში ს-ები *სახალხო კომისარიატების* მემკვიდრეა (სახ. *კომისარიატები* ს-ებად 1946 გარდაიქმნა). ს-ები წარმართავენ სახ. მეურნ., სოც.-კულტ. მშენებლობისა და ადმ.-პოლიტ. საქმიანობის განსაზღვრულ დარგებს, პასუხს აგებენ მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროების მდგომარეობასა და განვითარებაზე. სსრკ-ის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონ. რესპუბლიკების ს-ებს ნუსხებს

განსაზღვრავს კანონები შესაბამისი მინისტრთა საბჭოს შესახებ. არსებობს საერთო-საკავშ., საკავშ.-რესპ. (სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების) და რესპ. (მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების) ს-ები. ორ-ორი სახისაა სსრკ (საერთო-საკავშ., საკავშ.-რესპ.) და მოკავშირე რესპუბლიკების (საკავშ.-რესპ., რესპ.) ს-ები. ს-ების სამართ. მდგომარეობა განისაზღვრება კონსტიტუციებით სსრკ ს-ების ზოგადი დებულებით, აგრეთვე დებულებით ცალკეული ს-ების შესახებ.

საერთო-საკავშ. ს-ები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ მმართველობის დარგებს სსრკ მთელ ტერიტორიაზე უშუალოდ ან მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით. მათი საქმიანობა სსრკ-ის განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკებში თანამოსახელე ს-ები არ იქმნება. სსრკ საერთო-საკავშ. ს-თა კატეგორიას „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ კანონის მიღებისას (1978) მიეკუთვნა ს-ები: გაზის მრეწვ.; გემთსაშენებელი მრეწვ.; გზათა; ელექტრონული მრეწვ.; ელექტროტექ. მრეწვ.; ენერგეტ. მანქანათმშ.; თავდაცვითი მრეწვ.; თავდაცვის; კავშირგაბმ. საშუალებათა მრეწვ.; მანქანათმშ.; მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშ.; მსუბუქი და კვების მრეწვ. და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშ.; მძიმე და სატრანსპ. მანქანათმშ.; ნავთობისა და გაზის მრეწვ. საწარმოთა მშენებლობის; ნავთობის მრეწვ.; რადიომრეწვ.; საავიაციო მრეწვ.; საავტ. მრეწვ.; საგარეო ვაჭრობის; საერთო მანქანათმშ.; საზღვ. ფლოტის სამედ. მრეწვ.; სამოქალაქო ავიაციის; სამშენებლო, საგზაო და კომუნ. მანქანათმშ.; სატრანსპ. მშენებლობის; სატრაქტორო და სას.-სამ. მანქანათმშ.; საშ. მანქანათმშ.; ქიმ. და ნავთობის მანქანათმშ.; ქიმ. მრეწვ.; ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწვ.; ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ.; ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა („სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1978, № 28, მ. 436).

საკავშ.-რესპ. ს-ები განაგებენ სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების თანაკომპეტენციის მმართველობის დარგებს. სსრკ საკავშ.-რესპ. ს-ები ხელმძღვანელობენ შესაბამის დარგებს, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკების თანამოსახელე ს-ების მეშვეობით. მოკავშირე რესპ. საკავშ.-რესპ. ს. ემორჩილება როგორც რესპ. მინისტრთა საბჭოს, ისე სსრკ თანამოსახლე ს-ს. სსრკ საკავშ.-რესპ. ს-თა კატეგორიას „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ კანონის მიღებისას მიეკუთვნა ს-ები: განათლების, გეოლ., დამზადების, ენერგეტ. და ელექტრიფიკაციის, ვაჭრობის, თევზის მეურნ., იუსტიციის, კავშირგაბმ., კვების მრეწვ., კულტ., მელიორ. და წყალთა მეურნ., მსუბუქი მრეწვ., მშენებლობის, მძიმე ინდუსტრ. საწარმოთა მშენებლობის, ნავთობგადამმუშ. და ნავთობქიმ. მრეწვ., საგარეო საქმეთა, სამონტაჟო და სპეც. სამშენებლო სამუშაოთა, სამრეწვ. მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწვ., სოფ. მეურნ., უმაღლესი და საშ. სპეციგანათლების, ფერადი მეტალ., ფინანსთა, ქვანახშირის მრეწვ., შავი მეტალ., შინაგან საქმეთა, ხე-ტყისა და ხის დამზადე. მრეწვ., ხორცისა და რძის მრეწვ., ჯანმრთელობის დაცვის. აუცილებელი არ არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში სსრკ საკავშ.-რესპ. ს-ების თანამოსახელე ყველა ს. შეიქმნას. მაგ., საქ. სსრ-ში არ არის გეოლ., შავი მეტალ. და ზოგი სხვა საკავშ.-რესპ. ს.

რესპ. ს-ები ხელმძღვანელობენ რესპუბლიკების კომპეტენციის მმართველობის დარგებს. მოკავშირე რესპუბლიკების რესპ. ს-ები ემორჩილება შესაბამისი მინისტრთა საბჭოს, ავტონ. რესპ. ს-ები კი — ასსრ მთავრობას და მოკავშირე რესპ. თანამოსახელე ს-ს. რესპ. ს-ები იქმნება რესპუბლიკების ბუნებრივ-გეოგრ., ეკონ. და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. მაგ., საქ. სსრ რესპ. ს-თა კატეგორიას „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ კანონის მიღებისას (1978) მიეკუთვნა ადგილ. მრეწვ., მოსახლ. საყოფაცხოვრებო მომსახურების, საავტ. გზების, საავტ. ტრანსპ., საბინაო-კომუნ. მეურნ., სოც. უზრუნველყოფის ს-ები („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1978, № 12, მ. 253).

ს-ებს მინისტრთა საბჭოების წინადადებით ქმნის და აუქმებს, აგრეთვე მინისტრთა საბჭოების თავ-რეთა წარდგინებით მინისტრებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი უმაღლესი საბჭო (სესიებს შუა პერიოდში — მისი პრეზიდიუმი უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით). ს-ების მუშაობას აერთიანებს და წარმართავს მინისტრთა საბჭოები, რ-თა შემადგენლობაშიც შედიან მინისტრები. მინისტრთა საბჭო ნიშნავს მინისტრის მოადგილეებს, ამტკიცებს ს-ს კოლეგიის წევრებს. ს-ზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება მინისტრს. იგი ს-ს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს და ამოწმებს მათ შესრულებას, ამტკიცებს საუწყებო არბიტრაჟისა და ს-თან არსებული სათათბირო ორგანოების, მაგ., სამეცნ.-ტექ. (სამეცნ.) საბჭოს დებულებებს და სხვ. ს-ების მუშაობა კოლეგიურობის და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე წარიმართება.

საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში ს-ს, როგორც წესი, ქმნის და მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო (კუბაში — პრეზიდენტი გამოსცემს სათანადო დეკრეტს). მინისტრი ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს ს-ს, შედის მთავრობის შემადგენლობაში (ზოგან მინისტრი თანამდებობის დაკავებისას დებს ხალხის და სახელმწიფოს ერთგულების ფიცს). ს-თან, ჩვეულებრივ, იქმნება კოლეგია. ჩეხოსლოვაკიაში 1968 დაწესდა სახელმწ. მდივნის — ფედერ. ს-ს ერთგვარი თანახელმძღვანელის თანამდებობა, რ-იც შემოღებულია საკავშ. მთავრობაში ჩეხიისა და სლოვაკიის პროპორციული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად: მინისტრი და სახელმწ. მდივანი, რ-იც აგრეთვე შედის მთავრობის შემადგენლობაში, სხვადასხვა რესპ. მოქალაქეები არიან. იუგოსლავიაში ს-ების ნაცვლად 1953 შეიქმნა ფედერ. სახელმწ. და საკავშ სამდივნოები, რ-ებიც ფუნქციებით ს-ებს უახლოვდება.

ბურჟ. სახელმწიფოებში ს-ები (მთავრობის დეპარტამენტები) იქმნება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აქტის (მაგ., აშშ-ში), სახელმწიფოს მეთაურის აქტის (მაგ., საფრანგეთში), კანონისა თუ მთავრობის აქტის (მაგ., დიდ ბრიტანეთში) საფუძველზე. ს-ს ჩვეულებრივ სათავეში უდგას მთავრობის წევრი, რ-საც აქვს მინისტრის რანგი (ზოგჯერ სახელმწ. მინისტრი ან სახელმწ. მდივანი). შედარებით იშვიათად ს-ს სათავეში ერთად უდგას 2 ან მეტი მინისტრი (ფინეთი). ზოგან (მაგ., დიდ ბრიტანეთში) მინისტრი პარლამ. წევრი უნდა იყოს, საფრანგეთში კი პირიქითაა; საპრეზიდენტო ტიპის რესპუბლიკაში (მაგ., აშშ-ში) იგი არ შეიძლება იყოს საკანონმდებლო ორგანოს წევრი. მინისტრებს ნიშნავს და გადააყენებს აღმასრ. ხელისუფლების ან მთავრობის მეთაური (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი). სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმის ეპოქაში ს. უზრუნველყოფს მონოპოლიებისა და სახელმწიფოს ძალების ერთიან მექანიზმად შეერთებას. თანამედროვე კაპიტალ. ქვეყნებში საერთო ტენდენციაა მინისტრის ადმ. უფლებამოსილებათა გაფართოება. *ი. ფუტკარაძე.*

სამისამართო ენა, ციფრულ გამომთვლელ მანქანაში ინფორმაციის გარდასაქმნელი პროცესების ასაწერი ფორმალური ენა.

სამი სხეულის ამოცანა ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა შ ი, ამოცანა იმ სამი სხეულის (მაგ., მზის, დედამიწისა და მთვარის) მოძრაობის შესახებ, რ-ებიც ერთმანეთს იზიდავენ *მსოფლიო მიზიდულობის კანონით* და განიხილებიან როგორც მატერიალური წერტილები. 1912 ფინ. ასტრონომმა კ. სუნდმანმა მიიღო ს. ს. ა-ის ზოგადი ამონახსნი მწკრივითა სახით. შედარებით კარგადაა შესწავლილი ე. წ. შეზღუდული ს. ს. ა., რ-შიც ერთ-ერთი სხეულის მასა უსასრულოდ მცირეა. იხ. სტ. *ცის მექანიკა.*


სამი ფაქტორის თეორია, იხ. *წარმოების სამი ფაქტორის თეორია.*


სამიქაო, სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., მაიდანი). ზ. დ. 50 *მ*, აბაშიდან 12 *კმ*. ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სამკალი, მანქანა, რ-იც მკის სასოფლო-სამეურნეო მინდვრის კულტურებს, მოკილ მასას ფორმირების შემდეგ აწვდის მუშა ორგანოებს (კომბაინის ს.) ან მინდორზე აწყობს (მოსავლის ორჯერადი აღების ს.). პირველი ცნობები ს-ის შესახებ ახ. წ. I ს-ში გვხვდება პლინიუსთან. ს-ის კონსტრუქციების შეშუშავება დაიწყეს XVII ს-ში. აკად. ვ. ზუევის ცნობით, ტულელმა მეიარაღე ბობრინმა 1761 გამოიგონა ს., რ-იც ჭრიდა თავთავებს, ხოლო ნამჯას მინდორში ტოვებდა. XIX ს. დასაწყისში ს. გაჩნდა ინგლისში, აშშ-ში. შემდგომში კონსტრუქტორები ცდილობდნენ, რომ მაქსიმალურად შეემცირებინათ ხელით შრომის წილი მოსავლის აღებისას. შექმნეს ისეთი ს., რ-იც მოთიბულ მასას აწყობდა ბაქანზე, საიდანაც მუშა მას პერიოდულად მიწაზე ყრიდა. 1856 შექმნილი საფოცხმექანიზმიანი ს. მომკილ მასას მიწაზე ავტომატურად ყრიდა. ს.- ძნასაკვრელი, რ-იც მოჭრილ მასას ძნებად კრავდა, პირველად 1867 გამოიყენეს. სსრკ-ში უმეტესად იყენებენ საზვინულებელ ს-ებს, რ-ებიც მკიან ღეროებს, კრებენ მათ პლატფორმაზე და შემდეგ ზვინულების სახით მინდორზე ყრიან.

კომბაინის ს. არის პლატფორმიანი და შნეკური. პლატფორმიანს მაღალღეროიანი კულტურების ასაღებად იყენებენ. ასეთი ს-ის პლატფორმას აქვს ტილო- ან ჯაჭვურ-თაშასოვანი ტრანსპორ-

სამკალი. ნახ. 1. კომბაინის შნეკური სამკალი: 1—მცოცავი ტრანსპორტიორი; 2—მაწონასწორებელი ზამბარები; 3—ტარაბუას საყრდენი; 4—სპირალური ლენტი; 5—თითისებრი მექანიზმი; 6—შნეკის გარსაცმი; 7—შნეკის მოსახსნელი ხვია; 8—მხრეული; 9—დანის თავი; 10—დანის მაერთებელი წევრი; 11—დანა; 12—თითი; 13—ბარბაცა; 14—ტარაბუას ჯვარედი; 15—ტარაბუას ფრთა; 16—შნეკი; 17—ტარაბუას ფოცხის თითი; 18—ტარაბუას ფოცხი; 19—ფოცხის მრუდმხარა; ა—მჭრელი აპარატის დანის ბარბაცასთან შეერთება; ბ—შნეკი.





სამკალი. ნახ. 2. ორჯვრადი ალებისათვის განკუთვნილი საკიდი სამკალი.

სამკალი. ნახ. 3. მისაბმელი კანაფის სამკალი.

ტორი. შნეკიანი ს-ის (ნახ. 1) მატრანსპორტირებელი ორგანოა შნეკი. კომბაინის შნეკიან ს-ს კვლავმოწყობის შედეგად იყენებენ სხვადასხვა კულტურის (სამარცვლე პარკოსნების, აბუსალათინისა და სხვ.) ასაღებად. ამკრების დახმარებით მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე მომკილი ღეროების ზვინულებიდან ასაკრებად.

საზვინულე ს-ები უმეტესად საკიდია (ნახ. 2), არის მისაბმელიც (ნახ. 3). კომბაინისა და საზვინულე ს-ების ძირითადი მუშა კვანძების დანიშნულება და კონსტრუქცია ერთნაირია; განსხვავებაა მხოლოდ მატრანსპორტირებელი ორგანოების მოწყობილობასა და დანიშნულებაში. ს-ის ძირითადი მუშა ორგანოებია: გამყოფები, მჭრელი აპარატი, ტარაბუა, ტრანსპორტიორები. გამყოფი არის მინდვრისა და შიგა. მინდვრის გამყოფის დანიშნულებაა საერთო მასიდან ღეროების გამოყოფა. ს-ის შიგა გამყოფს ძირითადად ორიენტირად იყენებენ აგრეგატის მოძრაობისას. სწორმდგომი კულტურების აღებისას ს-ზე ხისტად ამაგრებენ სოლურ გამყოფებს, ჩაწოლილი კულტურების აღებისას კი — წნელის გამყოფს, ან ამონტაჟებენ მოძრავი დანის მსგავსს აქტ. გამყოფს. გრძელღეროიანი პურეულის მკისას მინდვრის რელიეფის საკოპირებლად იყენებენ ტორპედულ გამყოფებს. მჭრელი აპარატი ღეროებს მაკრატლის პრინციპით ჭრის. მისი უძრავი ნაწილი შედგება თუჯის ან ფოლადის თითებისაგან, რ-ებსაც აქვთ უკაშრის ფირფიტები — სადებები. მოძრავი ნაწილი (დანა) ფოლადის ზოლია, რ-ზედაც დამაგრებულია ტრაპეციისებრი დანები — სეგმენტები. დანა ასრულებს უკუქცევით - წინსვლითს მოძრაობას და ამ დროს სეგმენტების მჭრელი წიბოები ღეროებს ჭრის. ჩაწოლილი ღეროების ასაწევად იყენებენ ღეროთამწევებს (ლიფტიორებს). ს-ის ტარაბუას დანიშნულებაა ღეროების მჭრელ აპარატთან მიტანა, ჭრის პროცესში მათი დაჭერა, საჭრელი აპარატის გაწმენდა და მოჭრილი ღეროების ბაქანზე დაყრა. სწორმდგომი კულტურების ასაღებად იყენებენ ისეთ ტარაბუას, რ-ზეც ფრთები ხისტადაა დამაგრებული. ჩაწოლილი პურეულის ასაღებად გამოყენებულ ს-ს აქვს ექსცენტრიკული ფოცხიანი ტარაბუა. მასზე ხის თამასების ცვლად დამაგრებულია ზამბარულთითებიანი მილები. მომკის პროცესში ტარაბუას ზამბარული თითები შედის ღეროების ჩაწოლილ მასაში, სწევს მას მაღლა და აკავებს მოჭრამდე.

ს-ის მატრანსპორტირებელი ორგანოებია შნეკი და დახრილი ტრანსპორტიორი (კომბაინის ს.) ან ტილო-თამასოვანი ან ღეძურ-თამასოვანი ტრანსპორტიორი (საზვინულებელი ს.). შნეკის შუა ნაწილზე დამაგრებულია თითისებრი მექანიზმი, რ-იც შნეკით მიწოდებულ მოჭრილ ღეროებს დახრილ ტრანსპორტიორზე ჭრის. დახრილი ტრანსპორტიორი შედგება ჯაჭვურთამასოვანი ტრანსპორტიორის ლენტისაგან. ლენტის თამასები წაიტაცებენ მასას, მიაჭერენ მას კამერის ბრობზე და დახრილი სიბრტყით ზევით გადააქვთ. ტილო-თამასოვან ტრანსპორტიორს საზვინულე ს-ებში იყენებენ. ფართოდაა გავრცელებული რამდენიმე ღეძედისაგან შემდგარი უტილო ტრანსპორტიორები. ღეძედებზე განივად დამაგრებულია მოკლე თამასები, რ-ებიც მომკილ მასას დაბრუნილებულ ფურცელზე გადააადგილებენ.

ს-ის ყველა მუშა ორგანოს რეგულირება ხდება მუშაობის პროცესში ჰიდრავ., უფრო იშვიათად მექან. და სხვა მოწყობილობებით.

ლიტ.: შხვიაბაია ზ., ბეჟანიშვილი გ., სრფლის მეურნეობის მანქანები, ნაწ. 2, თბ., 1982; Карпенко А. Н., Зеленев А. А., Халанский В. М., Сельскохозяйственные машины, 3 изд., М., 1976; Справочник конструктора сельскохозяйственных машин, 2 изд., т. 2, М., 1967.

სამკალი, ქართული ხალხური შრომის პოეზიის სახეობა, მკის დროს შესასრულებელი ლექს-სიმღერები; მღეროდნენ ძირითადად კოლექტიურად ნამგლის ლესვის, სამკალად გასვლის, მკისა და ლეწვის დროს. სიმღერას ზოგჯერ თან ახლდა შეძახილები: „ჰეკა-ჰოკა", „ჰოპ! ჰოპ!", რის გამოც მას „ჰეკა-ოკას" და „ჰოპუნასაც" ეძახიან.


ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; იხ. აგრეთვე სტ-თან საენახ.

გ. ჭელიძე.


სამკაული, სხეულისა და ტანსაცმლის შესამკობელი ნივთი. ცნობილია როგორც მუდმივი (მყარი), ისე მოძრავი ს. უძველეს ხანაში მუდმივი ს. კეთდებოდა მოხატვით, ტატუირებით ან დაშრამვით. იკეთებდნენ სხვადასხვა მიზნით (სხეულის ფორმების ხაზგასმა, ასაკობრივი მდგომარეობისა და რანგის, ომისა და ნადირობის მიმდევრობის, რომელიმე ტომის კუთვნილების გამოხატვა და სხვ.). ს-ს იკეთებდნენ აგრეთვე ზეიმისა და დღესასწაულის დროს, ემსახურებოდა საკრალური საიდუმლოების, მაგიური მფარველობის მიზანს და სხვ. ს. ზოგჯერ ტანსაცმლის შემადგენელი ნაწილია (სარტყელი, წინსაფარი, თავსაბურავი და სხვ.). ფიქრობენ, რომ ამულეტი, თილისმა, ფეტიში თავდაპირველად ს. იყო, რ-ის ტარების დროს მის პატრონს შემთხვევით ძალა უმართლებდა და მის მფარველობაში რწმუნდებოდა. მუსტიეს ხანიდან ცნობილია ტანისა და სახის შეღებვის შემთხვევები (ოქრა, რკინის ჟანგი, შავი საღებავი). ეს წესი აღმ. ევროპაში ნეოლით-ბრინჯაოს ხანაშიც არსებობდა. გვხვდება სამარხებში ჩატანებული ს. — ცხოველის კბილები, ნიჟარები, ჭრელი კაჟის ქვა, მთის ბროლი, ძვალი და სხვ. ს-ად იყენებდნენ ბევრ სხვა მასალასაც (ფოთლები, ყვავილები, გახვრეტილი კურკები, ბეწვი, ფრთა, მწერები და ა. შ.). ზოგჯერ ქვები ან მინერალი შორიდან მოჰქონდათ (საგვარჯილეში აღმოჩენილი ნიჟარები „კაური"). ზედა პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითის ხანაში მომრავლდა ს-ის სახეობანი, რ-საც ამზადებდნენ გიშრის, ქარვის, მარჯნის, მთის ბროლის, შპატისა და სხვ. მასალისაგან. ს-ს ძირითადად სამარხებში პოულობენ. ცნობილია ს-ების განძებიც, მაგ., მრავალი ასეთი განძია ნაპოვნი ტროა II-ში (ძვ. წ. III ათასწლ.). ს-ს ამზადებდნენ ყველა ცნობილი ლითონისაგან. ოქროს ს-ების ფერადოვნებას ქმნიდნენ ფერადი ქვის, სხვადასხვა მინერალის, მინის, პასტის თვლების ჩასმით ან ინკრუსტაციით, ფერადი მხატვრული მინანქრით და ა. შ. ლითონის ს-ის სახეებია თავსაბურავისა და თმის ს., *საკინძი,* მშვილდსაკინძი, დიადემა, საყურე, სასაფეთქლე რგოლი და სპირალი, საყელური რგოლი (გვერგვი), ყელსაკიდი, ფიგურულელემენტებიანი ყელსაბამი და გულსაკიდი გარნიტურტურები, აგრაფი, სამაჯური, სამკლაური, *ბეჭ,ბეჭედი,* ბალთა, აბზინდა, საწვივე და საფეხსაცმლური რგოლი, საპარადო-სარიტუალო ნივთნივთები და სხვ. ს-ის ტიპები ცნობილია ძვ. ფვ. ფრესკებისა და ქანდაკებების მიხედვით. თ. წარჩინებულთა ეკონ. მდგომარეობას გა განსაკუთრებით ძვირფასი ს. გამოხატავს. ეს, განათხარი მასალის მიხედვით ცნობილიალია ძვ. კულტურათა ს-ის გარკვეული თავისავისებურებანი. მაგ., შუმერულ იუველირულ ნაწარმში შეიმჩნევა სირთულე, არქაიზმის გარკვეული გადმონაშთები, ინკრუსტაციისადმი მიდრეკილება და სხვ., ევე. გვ. ს-ში — მინისა და პასტის სიმრავლე, ინკრუსტაცია, საკულტო სიმბოლოები (სკარაბრაბეები და სხვ.); ტროის ოქრომჭედლურ ნაწ ნაწარმში — იდიოსინკრეტულობა; მიკენური ხრი ს-ის პუნსონურ ორნამენტში — რთული, მი, მრუდხაზოვანი სახეებისადმი მიდრეკილკილება; თრიალეთურ ოქრომჭედლობაში — ი— თავისებური გეომ. ორნამენტული სტილიზი და პოლიქრომიისადმი მიდრეკილება (თ; (თვალბუდიანი ნაკეთობანი), ზოგიერთი ად ადგილ. ტრად. ფორმისა და ორნამენტული მი მოტივის გამოყენება, ლითონის სამაჯურებისა და რგოლური ს-ების არარსებობა.

ძვ. მსოფლიოს იუველირული ს. ს. და საერთოდ იუველირული ნაწარმი ყველაზე მეტად გამოხატავს საერთაშ. კავშირებს და ურთიერთზეგავლენას. ეს ეხება, ა, მაგ., გავარსისა და ფილიგრანის, უკუჯვალო რჩილვის, გაწნევის, პუნსონის, ქვის ჯის მძივების დამუშავების ტექნიკას და სხვ.ხვ. ყოველივე ეს განვითარების სხვადასხვა ეტა საფეხურზე იჩენს თავს და სხვადასხვა კულტურის საერთო კუთვნილებაა, თუმცა ზა ზოგიერთი ს-ის წარმომავლობას ადრეულ ლ ხანაში ცალკეული ცენტრებიდანაც ვარაუდობენ (მაგ., გარკვეული სახის ქვის ის მძივებისას ინდოეთის *ჰარაფის* კულტურიდან, ძვ. წ. III ათასწლეულით).

ძვირფასი ლითონის ს-ები ამიემიერკავკასიაში ცნობილია ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან, საერთოდ ლ ლითონისა — უფრო ადრეული ძეგლებიდანაც. გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ის ხანის ძეგლებში ოქრო-ვერცხლის ს. უფროდა და იშვიათად გვხვდება. ბევრია აა ბრინჯაოსა და სხვა მასალის ყველანაირი ს. ანტ. ხანაში ახ. სოც.-ეკონ. საფუძველმა განაპირობა ძვირფასი ნივთების წა წარმოება. უმდიდრეს და უნატიფეს ს-ებს შეიცავს ვანის სამარხები და *ალალგორის* გ *განძი,* არმაზისა და ბაგინეთის სარკოფაგები, *მცხეთის აკლდამა.* წინწყაროს, ზღუდერის, სიონის, ბორის, კლდეეთისა და სხვხვ. სამარხები. აქ წარმოდგენილია გავაკარსის, ფილიგრანის, პოლიქრომიის, ტიხრული მინანქრის, პორტრეტული ინტაგლიოს, მრგვალი თუ რელიეფური მცირე ქანდაკების მრავალი ნიმუში, ძვირფასი ქვეშები და სხვ. მასალა; მ. შ. არის მრავალი იმპორტული ნივთი, უცხოური სტილის ნიმუშები (განსაკუთრებით ბერძნ.-რომაულისა კამეები და სხვ.), მაგრამ დადგენილიაა ადგილ. თავისებურებებიც. კოლხური ძეგლებიდან ცნობილია ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებანი, ბრინჯაოს ჭვირული ბალთები. გამოირჩევა გვიანდდ. ანტ. ხანის ფიგურული საკინძისთავები (მარჯნის, მარგალიტის, ბოწის და სხვ.). ანტ. ხანის დასასრულიდან ქართ. ს-ში (და სხვა იუველირულ ნაწარმში) უფრო მეტადდ იჩენს თავს ეროვნ. მიმართულება. ადრინდდ. ფეოდ. ხანაში ფართოდ გავრცელდა ა ე. წ. მცხეთური თავსამკაული — საკინძები, თმის სარჭები, რ-ებსაც ბროწეულისა და სხვადასხვა ყვავილის ფორმის თავი აქვს (მ. შ. ბრინჯაოსა და რკინის მარჯნისთავიანი და ლაჟვარდისთავიანი). გვხვდება ოქროს სადა ნივთებიც. ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანაში ფართოდ გავრცელდა ფერადი მინის ბეჭდები (ჩნდება VII ს-იდან);), სამაჯურები, სანელსაცხებლეები, სასამკაულე



ბრინჯაოს სამაჯური, კამარახევის სამარხი. ძვ. წ. IV—III სს. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.



ოქროს სამაჯური (წყვილის ცალი) ასპარუგ პიტიახშის სამარხიდან. II ს. არმაზისხევი. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.

თლები. აღმოჩენილია მათი დამამზადებელი სახელოსნოები ორბეთში (VIII—IX სს.), ნატბეურსა და თბილისში (XII—XIV სს.). მინის ნაწარმი საქართვ. გარეთაც გაჰქონდათ. ვარაუდობენ, რომ შუა ფეოდ. ხანაში საოქრომჭედლო სახელოსნოები არსებობდა თბილისში, დმანისსა (XIII ს. განძი) და რუსთავში. ამ ხანიდან არქეოლ. მასალაში ს. იშვიათია.

მრავალფეროვანი ს. გვხვდება ქართ. ეთნოგრ. სინამდვილეში. ასეთებია მრავალწაირი სასამკაულე ნივთი. ტანსაცმლის დეკორ. ელემენტი და სხვ. XIX ს. დასაწყისიდან ევრ. კოსტიუმთან ერთად ჩვენში შემოვიდა ევრ. სტილის ს., რ-იც თითქმის მთლიანად ქალებისთვისაა განკუთვნილი. მრავალფეროვანია ქალთა ს. დღესაც. *ე. გოგაძე.*

სამკერდე ნიშანი, განმასხვავებელი ნიშანი, რ-საც აწესებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იმ პირთა დასაჯილდოებლად, რ-ებიც გამოირჩევიან თავიანთი საქმიანობით და ამით ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი სიძლიერის განმტკიცებას. ს. ნ. დაწესებულია ცალკეული საქმიანობისა და დარგების მიხედვით; აქვს თავისი ზომა, შედგენილობა, ფერი, წარწერა. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამტკიცებს თითოეული ს. ნ-ის დებულებას.

მრავალი ს. ნ. დაწესდა სამამულო ომის (1941—45) პერიოდში, მაგ., „სნაიპერი", „ფრიადოსანი მეტყვიამფრქვევე", „ფრიადოსანი რკინიგზელი". „კავშირგაბმულობის ფრიადოსანი", „ფრიადოსანი მძღოლი", „ფრიადოსანი მზარეული", „სსრ კავშირის საპატიო დონორი", „ფრიადოსანი მეხანძრე", „საპატიო მეშახტე", „ფრიადოსანი არტილერისტი", „ფრიადოსანი ტანკისტი", „ფრიადოსანი მზვერავი", „საპატიო რადისტი" და ა. შ. სსრკ სახ. დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონით (მ. 35) გათვალისწინებულია ს. ნ. დეპუტატთათვის. მათ ნიშუშებს, აგრეთვე მათ შესახებ დებულებას სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთათვის ამტკიცებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი; მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს და ადგილ. საბჭოს დეპუტატთათვის — შესაბამისი მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. *გ. ერემოვი.*

სამკვდრო, სამკუდრო, იხ. *სამარხი.*

სამკუთხედი (ლათ. Triangulum), ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*; ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავების ვიზუალური ვარსკვლავიერი სიდიდეებია 3,0 და 3,4. დაკვირვებისათვის ხელსაყრელი პირობებია ოქტ.-ში. ჩანს სსრკ მთელი ტერიტორიიდან.

სამკუთხედი სწორხაზოვანი, სიბრტყის ნაწილი, შემოსაზღვრული წრფეების სამი მონაკვეთით (ს-ის გვერდები), რ-თაც წყვილ-წყვილად თითო საერთო ბოლო აქვთ (ს-ის წვეროები). ს-ს, რ-საც სამივე გვერდი ტოლი სიგრძისა აქვს, ტოლგვერდა ეწოდება (ნახ. 1), ხოლო ს-ს, რ-საც ორი ტოლი გვერდი აქვს— ტოლფერდა (ნახ. 2). ს. მახვილკუთხაა (ნახ. 3), თუ მისი ყველა კუთხე მახვილია; მართკუთხაა, თუ მისი ერთ-ერთი კუთხე მართია (ნახ. 4); ბლაგვკუთხაა (ნახ. 5), თუ ერთ-ერთი კუთხე ბლაგვი აქვს. ერთზე მეტი მართი ან ბლაგვი კუთხე ს-ს არ შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან მისი სამივე კუთხის ჯამი უდრის 180°. ს-ის ფართობი $ah/2$-ის ტოლია, სადაც a არის ს-ის ნებისმიერი გვერდი, რ-იც მიღებულია ფუძედ, ხოლო h — შესაბამისი სიმაღლე (ნახ. 6). ს-ის გვერდები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: თითოეული გვერდის სიგრძე დანარჩენი ორი გვერდის საგრძეთა ჯამზე ნაკლებია და ამავე გვერდების სიგრძეთა სხვაობაზე მეტია. ორი ს. კონგრუენტულია (ტოლია), თუ მათ აქვთ (წყვილ-წყვილად) ტოლი ყველა გვერდი, ან ორი გვერდი და მათ შორის მდებარე კუთხე, ან გვერდი და მასთან მდებარე ორი კუთხე. ს-ის კუთხეებისა და გვერდებს შორის თანაფარდობებს სწავლობს *ტრიგონომეტრია*. იხ. აგრეთვე *სფერული ტრიგონომეტრია*.

სამკურნალო გვირილა, ბაბუნა (Matricaria recutita), ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 60 *სმ* აღწევს. ფოთოლი ორმაგფრთისებრ განკვეთილია, ღერო დატოტვილი აქვს, ყვავილედი — კალათაა, შედგება 12—18 განაპირა ენაკისებრი თეთრი ყვავილისა და შუა მრავალრიცხოვანი მილისებრი ყვითელი ყვავილებისაგან. ნაყოფი — თესლურაა. მოჰყავთ სსრკ-ში, ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში და სხვ. საქართველოში იზრდება აჭარაში. გზის პირებზე. დიდ მოსავალს იძლევა ნოყიერ შავმიწა თიხნარ ნიადაგზე. ს. ბ-ის ყვავილი შეიცავს ეთეროვან ზეთს, აზულენს, გლიკოზიდს და სხვ. იყენებენ მედიცინაში. მოსავალს (ყვავილედებს) იღებენ მცენარის მასობრივი ყვავილობისას, აშრობენ ფარდულში ან სპეც. საშრობებზე (არა უმეტეს 45°C ტემპ-რისა).

სამკურნალო კვება, დიეტოთერაპია, სხვადასხვა დაავადების მკურნალობა კვებით; ს. კ-ის მეცნ. საფუძვლებს შეისწავლის *დიეტოლოგია*. ს. კ-ის მოქმედებას განსაზღვრავს საკვების შემადგენლობა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მინერ. ნივთიერებანი და სხვ.) კალორიულობა, ფიზ. თვისებები (მიცულობა, ტემპ-რა, კონსისტენცია), კვების რეჟიმი და ცალკეული პროდუქტის (ხაჭო, რძე, თაფლი) სამკურნ. მოქმედება.

ს. კ. ენიშნებათ სპეც. დიეტის (სამკურნ. რაციონი) სახით, ამავე დროს ითვალისწინებენ დაავადების მიმდინარეობის თავისებურებებს და ავადმყოფის ინდივიდ. შესაძლებლობებს. ზოგჯერ ს. კ. მკურნალობის ძირითადი მეთოდია ან სხვა სამკურნ. საშუალებებთან ერთად ტარდება; ხანდახან ძირითადი დიეტის გარდა იყენებენ კვების დღე-ღამურ რეჟიმს, ე. წ. „კონტრასტულ დღეებს" — რძის, ხაჭოს, ვაშლის, საზამთროს, კარტოფილის და სხვ. ავადმყოფებს ენიშნებათ აგრეთვე კალიუმისა და მაგნიუმის მარილებით მდიდარი პროდუქტები და სხვა სახის დიეტა.

კუჭ-ნაწლავის ქრონ. დაავადებების დროს ს. კ. მკურნალობის ძირითადი მეთოდია. ნაწლავების ქრონ. დაავადებისას ავადმყოფს ენიშნება ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ფიზიოლ. ნორმა, ოდნავ შეზღუდულია (8 გ-მდე) სუფრის მარილი; კვების რაციონიდან მთლიანად გამორიცხულია დუღილისა და ლპობის პროცესების გამომწვევი ნივთიერებანი. ღვიძლის ქრონ. დაავადებების დროს საკვები მდიდარი უნდა იყოს ცილებით, რ-ებიც შეიცავენ ლიპოტროპულ ნივთიერებებს (ხაჭო, სოია, შვრიის ბურღული და სხვ.) და მცენარეული ზეთით. ათეროსკლეროზის შემთხვევაში ზღუდავენ ცხოველური ცხიმის რაოდენობას, ქოლესთერინის შემცველ ნივთიერებებს, ნახშირწყლებს (გლუკოზა, ფრუქტოზა), სუფრის მარილს, D ვიტამინს და სხვ. საკვები დიდი რაოდენობით უნდა შეიცავდეს ლიპოტროპულ ნივთიერებებს, C, B_1, B_6, P, PP ვიტამინებს, ხილს, ბოსტნეულს, მცენარეულ ზეთს, ზღვის პროდუქტებს. *ჰიპერტონიული დაავადებისა* და გულ-სისხლძარღვთა ქრონ. უკმარისობის დროს სუფრის მარილს ზღუდავენ (2—3 გ-მდე) და იყენებენ კალიუმისა და მაგნიუმის მარილებით მდიდარ საკვებს. დიფუზური გლომერულონეფრიტის მწვავე პერიოდში ზოგჯერ ავადმყოფებს ენიშნებათ სამკურნ. *შიმშილობა* ან ნატრიუმის მარილებს მოკლებული საკვები. ქრონ. *ნეფრიტის* დროს ზღუდავენ ცილებს (20—40 გ დღეში) და სუფრის მარილს. ანთების დროს, თუ მას დაერთოს ალერგიული რეაქცია (იხ. *ალერგია*), იყენებენ მადესენსიბილიზებელ დიეტას; *რეემატიზმის* დროს, ზღუდავენ ნახშირწყლებსა და სუფრის მარილს. შაქრიანი დიაბეტის (იხ. *დიაბეტი შაქრიანი*) მკურნალობისას საკვები უნდა შეიცავდეს ცხიმებს (70—80 გ), ცილებს (190—120 გ), ვიტამინებს (A, B, C); ნახშირწყლების (შაქარი, გლუკოზა) რაოდენობა შეზღუდულია. მწვავე ინფექციური დაავადებების (*გრიპი, პნევმონია, ქუნთრუშა*) დროს ენიშნებათ კალორიული საკვები (რძის პროდუქტები, ნახშირწყლები), უხვად სითხე და ვიტამინები (C, P, PP_1). ქრონ. ინფექციის, ინტოქსიკაციის, ჰიპოვიტამინოზის დროს ცილების რაოდენობა შეზღუდულია (1,5—2 გ სხეულის 1 *კგ* მასაზე).

ს კ-ის დროს მკაცრი დიეტიდან სრულფასოვან კვებაზე გადასვლა უნდა ხდებოდეს თანდათანობით; ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთი და იმავე საკვების მიღება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.

ლიტ.: Лечебное питание, под ред. И. С. Савощенко, М., 1971. *ბ. ზურაბაშვილი.*

სამკურნალო ფცენარეები, მედიცინასა და ვეტერინარიაში სამკურნალოდ ან პროფილაქტიკის მიზნით გამოსაყენებელ მცენარეთა დიდი ჯგუფი. ს. მ-ის შესწავლა და გამოყენება შორეულ წარსულს უკავშირდება. ამას ადასტურებს უძველესი წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი წყაროები. ჯერ კიდევ 3—4 ათ. წლის წინათ ეგვიპტეში ცნობილი ყოფილა მრავალი საკვები და სამკურნ. მცენარე. უძველესი ისტორია აქვს ჩინ., ტიბეტის, ინდ., საბერძნ. ხალხ. მედიცინაში ს. მ-ის გამოყენებას. *ჰიპოკრატეს* თავის შრომებში 200-ზე მეტი ს. მ. აქვს მოხსენიებული. ახ. წ. I ს. ეკუთვნის ბერძენი ექიმის დიოსკორიდეს კლასიკური ნაშრომი — „სამკურნალო საშუალებათა შესახებ". ძვ. რუსეთში ს. მ-ის გამოყენებას ადასტურებს „Изборник великого князя Святослава Ярославича" (1073), XVII ს. I ნახევარში კი გაჩნდა „ბალახთა კრებული", გაშენდა ს. მ-ის პლანტაციები, გაიხსნა აფთიაქები.


ცნობებს საქართველოში ს. მ-ის ბაღების გაშენებისა და მათი გამოყენების თაობაზე ვპოულობთ ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში". ს. მ-ის ბაღი კოლხეთში უძველეს ბაღად იყო მიჩნეული. იქ გაშენებული ყოფილა ცერცველა, ვენერას თმა (გვიმრა), ძალყურძენა, პაპირუსი, ჭინჭივარდა, ლავანდი, პიტნა, ზაფრანა, ყაყაჩო, კატაბალახა და სხვ. საქართველოში ს. მ-ის გამოყენების შესახებ ცნობებს იძლევა ძვ. ქართ. სამედ. წერილობითი წყაროები — ქანანელის „უსწორო კარაბადინი" (XI ს.), ხოჯაყოფილის „წიგნი საქიმოჲ" (XIII ს.), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი" (XV ს.), „იადიგარ დაუდი" (XVI ს.), დიდი მასალაა შემონახული იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა და სხვათა სამედ. ხელნაწერებშიც.

ს. მ-ის სასარგებლო თვისებები განპირობებულია მათში სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური, ე. წ. მოქმედი ნივთიერებების არსებობით. ასეთებია *ალკალოიდები, გლიკოზიდები*, საპონინები, ეთერზეთები, გუმფისები, ფისები, ლორწო, ვიტამინები, ფიტონციდები და სხვა, რ-ებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლ. პროცესებზე, სხვადასხვა დაავადების გამომწვევ მიკრობებზე. ნაკლებად ხმარობენ მეტალოიდების შემცველ მცენარეებს, მაგ., იოდის შემცველ წყალმცენარეებს, ფოსფორისა და გოგირდის შემცველ მცენარეებს. ს. მ-ის განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის *ანტიბიოტიკების* წარმომქმნელი მცენარეები. მოქმედი ნივთიერებები წარმოიქმნება და გროვდება ს. მ-ის სხვადასხვა ნაწილსა და ორგანოში


სამკუთხედი




ნახ. 1. ტოლგვერდა.



ნახ. 2. ტოლფერდა.




ნახ. 3. მახვილკუთხა



ნახ. 4. მართკუთხა. a,b— კათეტები, c—ჰიპოტენუზა, $a^2+b^2=c^2$ (პითაგორას თეორემა), $h^2c=mn$, $a^2=mc$, $b^2=nc$, მართკუთხა სამკუთხედის ფართობი $S=1/2ab=1/2a^2tg\,\beta=1/4c^2\sin 2\beta$.



ნახ. 5. ბლაგვკუთხა.



ნახ. 6. სამკუთხედის ფართობი $S=1/2a\cdot h_a=1/2absiny=r\cdot(a+b+c)/2=abc/4R=\sqrt{p(p-a)(p-b)(p-c)}$, სადაც ha a გვერდის სიმაღლეა, r და R—შესაბამისად სამკუთხედში ჩახაზული და შემოხაზული წრეწირების რადიუსები, $p=(a+b+c)/2$.

გარკვეულ სავეგეტაციო პერიოდში. ამასთან დაკავშირებით დადგენილია ს. მ-ის შეგროვების ვადები, როცა მათში დაგროვილი სასარგებლო ნივთიერებების ფარმაკოთერაპიული აქტივობა მაქსიმუმს აღწევს.

შეგროვებულ ს. მ-ს აშრობენ, იშვიათად იყენებენ ნედლსაც (მაგ., შრომანა, გვიმრა). აშრობენ უმეტესად დახურულ, კარგად განიავებულ სათავსებში, ზოგს (მაგ., კატაბალახას ფესვები, ღვიის ნაყოფი) — მზეზე, აგრეთვე ღუმლებში (განსაკუთრებით ნაყოფს). გამომშრალი ს. მ-ის შენახვისას ანგარიში უნდა გაეწიოს ჰაერის ტემპ-რას, სინესტესა და სამკურნალწამლო ნედლეულის მავნებლებს.

სსრკ-ში კულტივირებულია ს. მ-ის 180 სახეობა, მ. შ. ბელადონა, სალბი, კატაბალახა, რევანდი, გვირილები (სამკურნალო, დალმაციური და წითელი), თრიმლი, ფუტკარა, სამკურნალო მატრიკარია, სინამაქის ხე, ალოე, ზღვის ხახვი, ქინაქინის ხე, ქაფურის ხე, სკოპოლეა, ნაღველა, სენეგა, ცისკარა, ურცი, მრავალძარღვა, ტუბტი, ფურისულა, ძირყვითელა, ლემა, ასკილი და სხვ.

ს. მ. დაჯგუფებულია ორგანიზმზე ზემოქმედების მიხედვით: ნერვული სისტემის დაავადებების სამკურნალო — კატაბალახა, ჟენშენი, ლიმონურა, მანჯურიული არალია, დეზურა, ფითრი, წყავი; გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო — კუნელი, თრიმლი, ზღვის კომბოსტო, შრომანა, ოლეანდრე, ფუტკარა, ევკომია, ჩაის ბუჩქი, ფითრი და სხვ.; სპაზმოლიზური და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები — ძირთეთრა, ურცი, შმაგა (ბელადონა), ხაშხაში, პიტნა, სტაფილო, ტილჭირი, სკოპოლია; სასუნთქი ორგანოების დაავადების სამკურნალო — სამკურნალო ტუბტი, იპეკო, ვირისტერფა, თერმოფსისი, ურცი; კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალო — ალოე, საბრი, ტუბტი, გულყვითელა, მრავალძარღვა, კოთხუჯი, აბუსალათინი, კოწახური; ღვიძლის, სანაღვლე გზების, საშარდე ორგანოების დაავადების სამკურნალო — კოწახური, მოცვი, სიმინდი (ფოჩი), თირკმლის ჩაი.; სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებები — კოწახური, ჭინჭარი, ჭყავის რქა, მრავალძარღვა, ცხენისწაბლა, სოფორას სახეობები; გინეკოლ. დაავადებების სამკურნალო — ქაცვი, ხახვი; კანის დაავადებებისა — ალოე (საბრი), კრაზახა, ძირთეთრა.

სსრკ-ში ს. მ-ის შესწავლის მიზნით სამეცნ.-კვლ. მუშაობა მიმდინარეობს სამკურნ. მცენარეთა საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სსრკ მეცნ. აკად. და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნ. აკად. ინ-ტებში. ქიმ.-ფარმაცევტულ ინ-ტებში (ხარკოვი, თბილისი), ბოტან. ბაღებში და სხვ. სასწ. დაწესებულებებში.

საქართვ. მცენარეული ნედლეულის ბაზაზე შექმნილია მთელი რიგი სამკურნ. პრეპარატები, რ-თაც ამუშავებენ თბილ. ექსპერ.-ფარმაცევტულ ქ-ნებში.

ხალხ. მედიცინიდან აღებული ან ახლად გამოვლენილი ს. მ. შესულია სსრკ ფარმაკოპეის მე-10 გამოცემაში (1968).

ლიტ.: ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ი, სამკურნალწამლო და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში, თბ., 1945; წ უ წ უ ნ ა ვ ა ნ., მცენარე, როგორც სამკურნალო საშუალება ძველ საქართველოში, თბ., 1959; Государственная фармакопея СССР, 10 изд., М., 1968; З е м л и н с к и й С. Е., Лекарственные растения СССР, 3 изд., М., 1958; Энциклопедический словарь лекарственных, эфиромасличных и ядовитых растений, М., 1951.

ნ. წუწუნავა.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 96.

„სამკურნალო რეცეპტები“, XVIII — XIX სს. სამედიცინო ძეგლი, რ-ის ავტორია დავით ბაგრატიონი (გიორგი XIII-ის უფროსი ვაჟი). ძეგლი შედგენილია რუს., ქართ. და ლათ. წყაროების საფუძველზე. ტექსტი დაყოფილია თავებად და დალაგებულია ანბანზე დაავადებების მიხედვით (მაგ., ანტონის ცეცხლისათვის..., ბუასილისათვის... და ა. შ.). თითოეულ დაავადებას ახლავს სათანადო რეცეპტი. „ს. რ.“ გავრცელებული იყო საქართველოში ხელნაწერების სახით; დღემდე შემონახულია 7 ხელნაწერი ვარიანტი, მ. შ. 4 ინახება საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინ-ტში, 2 — თელავში; 1 — ლენინგრ. მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბ-კაში.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა მ., დავით ბაგრატიონი და გარდაბავალი ხანის ქართული მედიცინა, მის წგნ.: ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1963.

მ. შენგელია.

სამკურნალო ფიზკულტურა, სამედიცინო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის დაავადებულ ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის სამკურნალო-პროფილაქტიკურ მოქმედებას; ფუნქციური თერაპიის აქტ. მეთოდი. ს. ფ-ის მიზანია ავადმყოფის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა, მისი მოძრაობის რეჟიმის განსაზღვრა, შრომითი საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა და სხვ.) განვითარება და სხვ. ს. ფ-ის საშუალებებია: მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, *მასაჟი* და სხვ. ს. ფ-თვის იყენებენ სხვადასხვა ფიზ. ვარჯიშს: ტანვარჯიშს, წყალქვეშა ვარჯიშს, ცურვას, ტერენკურს, მოძრავ თამაშებს (ბადმინტონი, ფრენბურთი და სხვ.) და მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებებს. ს. ფ-თვის დამახასიათებელია ავადმყოფების დოზირებული ვარჯიში. სამკურნ. დაწესებულებებში. ს. ფ-ის პროცედურებს ატარებენ ინდივიდ. და ჯგუფური მეცადინეობის სახით. ს. ფ-ს უნიშნავენ უმეტესად დასუსტებულ ავადმყოფებს, რ-ებიც დიდხანს არიან წოლით რეჟიმზე და დაქვეითებული აქვთ ფიზ. ტონუსი. ამგვარი მკურნალობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის, განსაკუთრებით კი გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემათა დაავადებების დროს, იყენებენ აგრეთკე ქირურგიაში, ნერვული სისტემისა და საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებების, ტრავმის დროს და ბეყრი სხვა დაავადების კომპლ. მკურნალობაში.

ს. ფ. თანამედროვე სამედ. რეაბილიტაციის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა. იგი განაპირობებს აღდგენითი მკურნალობის ეფექტურობას და საბჭ. მედიცინის განუყოფელი ნაწილია.

რ. სვანიშვილი.

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“, XV ს. სამედიცინო ძეგლი, რ-ის ავტორია *ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი*. წიგნი 2 ტომად არის შედგენილი და მასში საკმაო სიზუსტითაა განხილული შედ. თეორ. და პრაქტ. საკითხები, აღწერილია დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ობიექტური გასინჯვის მეთოდები, ავადმყოფთა გამოკვლევის უალრესად რაციონალური სქემა; კარგად არის გაშუქებული სამკურნ. საშუალებათა სხვადასხვა ფორმა, მკურნალობის მრავალნაირი მეთოდი. განხილულია ადამიანის ანატ. და ფიზიოლ. ძირითადი საკითხები, მოცემულია ფსიქიკის მატერიალ. გაგების ელემენტები, ტვინი აღიარებულია გარემოს შეცნობის ორგანოდ. ავტორი უარყოფს ფსიქ. დაავადების მისტ. ბუნებას და მიიჩნევს მას ტვინის ორგ. დაავადებად, რ-იც საჭიროებს მკურნალობას წამლებით და არა მაგიურ-რელიგ. რიტუალებით. „ს. წ.—კ.“ შუა საუკ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა როგორც სამედ.-ბიოლ., ისე ქართ. საზ. და ფილოს. აზროვნების ისტორიისათვის.

გამოც.: ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ზ., სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, [წგნ. 1—2], თბ., 1978. *მ. შენგელია.*

სამმაგი ბმა, ქიმიური *კოვალენტური ბმა*, ხორციელდება სამი ელექტრონული წყვილით ორ ატომს შორის. ს. ბ. შეიცავს ერთ სიგმა- და ორ პი-ბმას (იხ. *სიგმა- და პი-ბმა*). ქიმ. ნაერთების სტრუქტურულ ფორმულაში ს. ბ. აღინიშნება სამი სავალენტო შტრიხით, მაგ., $N{\equiv}N$, $C{\equiv}C$, $C{\equiv}N$. იხ. *ქიმიური ბმა, ვალენტობა.*

სამმაგი წერტილი თ ე რ მ ო დ ი ნ ა მ ი კ ა შ ი, მდგომარეობის დიაგრამაზე წერტილი, რ-იც შეესაბამება ნივთიერების სამი ფაზის წონასწორულ თანაარსებობას. ფაზათა *წესიდან* გამომდინარეობს, რომ ქიმიურად ინდივიდ. ნივთიერებას (ერთკომპონენტიან სისტემას) წონასწორობის დროს არ შეიძლება ჰქონდეს სამ ფაზაზე მეტი. ამ სამ ფაზას (მაგ., მყარი, თხევადი და აირული ან, როგორც გოგირდს აქვს, თხევადი და ორი ალოტროპიული, კრისტ. სახესხვაობა) ერთდროულად შეუძლია განხორციელება მხოლოდ T ტემპ-რისა და p წნევის განსაზღვრული მნიშვნელობების დროს, რ-ებიც $p-T$ დიაგრამაზე ს. ფ-ის კოორდინატებს განსაზღვრავენ. CrO_2-თვის მაგ., $T_{ს.\,ფ.} = 216{,}6$K, $p_{ს.\,ფ.} = 55{,}12$ *ატმ.* *წყლის სამმაგი წერტილისათვის* $T_{ს.\,ფ.} = 273{,}16$K (ზუსტად), $p_{ს.\,ფ.} = 4{,}58$ *მმ ვწყ. სვ.*

სამნერი (Sumner) ჯეიმზ ბეჩელერ (19. XI. 1887, კანტონი, ოჰაიოს შტ., — 12. VIII. 1955, ბუფალო, ნიუ-იორკის შტ.), ამერიკელი ბიოქიმიკოსი. აშშ-ის ეროვნ. მეცნ. აკად. და ამერ. ხელოვნ. და მეცნ. აკად. წევრი. დაამთავრა ჰარვარდის უნ-ტი (1910). 1914—29 ასწავლიდა ბიოქიმიას კორნელის უნ-ტში (ითაკა, აშშ); 11929 იქვე დანიშნეს ფერმენტების ქიმ. ლაბორ. დირექტორად. ს-ის ნაშრომები ეხება ცილებისა და ფერმენტების პრეპარატულ შესწავლას. პირველმა გამოყო კრისტ. ფერმენტი (ურეაზა), დაამტკიცა ფერმენტების ცილოვანი ბუნება. 1946 წ. *სტენლისთან* და ჯ. *ნორთროპთან* ერთად მიენიჭა ნობელის პრემია.

სამნიტები (ლათ. Samnites), უმნიშვნელოვანესი იტალიკური ტომები (იხ. *იტალიკები*). ს. მთიელებისა იყვნენ და უმთავრესად მესაქონლეობას ეწეოდნენ. ძვ. წ. V ს-იდან იწყეს მთიდან ჩამოსვლა. ნაწილი დასახლდა აპენინის ნ.-კ-ის დას. და სამხრ.-დას. ნაწილში, შეერია ადგილ. მოსახლეობას და ისტორიას შემორჩა კამპანიელების, ლუკანებისა და ბრუტიების სახელით. ს-ის მეთაურობით ძვ. წ. IV ს-ში შეიქმნა ტომთა სასამხ. კავშირი, რ-იც ცნობილია როგორც I სამნიტური ფედერაცია. ძვ. წ. IV ს. II ნახ. — III ს. დასაწყისში ს. რომს ეომებოდნენ (იხ. *სამნიტური ომები*). მოკავშირეთა ომის (ძვ. წ. 90—88) დროს ს. რომის წინააღმდეგ იბრძოდნენ. რომის მხედართმთავარმა სულამ ს. თითქმის მთლიანად გაანადგურა.

სამნიტური ომები, ომები რომსა და *სამნიტების* ფედერაციას შორის ცენტრ. იტალიაში. რომაული ტრადიციით, I ს. ო. (ძვ. წ. 343—341) კამპანიის გამო დაიწყო. ომის შედეგად კაპუა და კუმე რომს დამორჩილდნენ, ხოლო სამნიტებს ტეანე-მი დარჩათ. II ს. ო. (ძვ. წ. 327—304) რომის მიერ ნეაპოლის მიტაცებამ გამოიწვია. თავდაპირველად რომაელები წარმატებით ომობდნენ, მაგრამ 321 ს სასტიკად დამარცხდნენ კავდიუმის ხეობაში. რომ ელებმა საბოლოოდ შეძლეს ძალების მოკრება და სამნიუმის მთელი რიგი ქალაქების აღება. 304 საზავო ხელშეკრულებით სამნიტებმა რომს კამპანია დაუთმეს. III ს. ო. (ძვ. წ. 298—290) დაიწყო სამნიტების ლუკანიაში დამკვიდრების გამო. ბრძოლა გაიმართა სამნიუმსა და უმბრიაში. სამნიტებთან ერთად იბრძოდნენ გალლები და *ეტრუსკები*. 290 სამნიტებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. სამნიტების ფედერაცია

დაშალეს. სამნიტების თემები შეზღუდული უფლებებით რომის მოკავშირეებად გამოაცხადეს.

სამოა (Samoa). ზღვაოსანთა კუნძულები (Navigators Islands), ვულკანური წარმოშობის 14 კუნძული წყნარ ოკეანეში. პოლინეზიაში, ს. გ. 13–15° შორის დიდი კუნძულებია: სავაი, უპოლუ. ტუტუილა ს იყოფა დასავლეთ სამოად და აღმოსავლეთ სამოად (აშშ-ის სამფლობელო) ძველთაგანვე დასახლებული იყო პოლინეზიელი ტომებით. პირველი ევროპელი, რ-მაც ს-ზე იმოგზაურა, იყო ჰოლანდ ი როგეევენი (1722). 1768 კ-ები შემოიარა ფრანგმა ზღვაოსანმა ლ. ბუგენვილმა, მან უწოდა ს-ს ზღვაოსანთა კ-ები XIX ს შუა წლებიდან გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის გაჩაღდა ბრძოლა კ-ებისათვის. 1889-იდან ს-ს ერთდროულად განაგებდა სამი სახელმწიფო. 1899 დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა კ-ებზე. იგი გაიყო აშშ-მა (აღმ. ნაწ.) და გერმანიამ (დას. ნაწ.).

სამოა აღმოსავლეთისა (Eastern Samoa), ქვეყანა პოლინეზიაში, სამოის არქიპელაგის (წყნარი ოკ.) აღმ. ნაწილში. უჭირავს კ-ები: ტუტუილა (ყველაზე მნიშვნელოვანი; ფართ. 137 კმ²), ოფუ, ოლოსეგა, ტაუ, სუენზი, როზე, აუნუუ. ფართ. 197 კმ². მოსახლ. 34 ათ-ზე მეტი კაცი (1981). ადმ. ც. — ქ. პაგო-პაგო (30,6 ათ. მცხ., 1980). ოფიც. ენა — ინგლისური. ფულის ერთეულია აშშ-ის დოლარი. ადმინისტრაციულად იყოფა 3 ოლქად.

ს. ა. 1899-იდან აშშ-ის სამფლობელოა. მოქმედებს 1960 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ორგანო შედგება სენატისა (ირჩევენ ჩვეულების მიხედვით სამოის ტომთა ბელადთაგან) და წარმომადგენელთა პალატისაგან (ირჩევს მოსახლეობა). აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის გუბერნატორს, რ-საც მოსახლ. ირჩევს 4 წლის ვადით.

ქ. ტუტუილა მთიანია (სიმაღლე 652 მ-მდე), სამხრ. ნაწილში ვიწრო სანაპირო დაბლობია. აღმ. სანაპიროზე არის წყნარი ოკ. ერთ-ერთი საუკეთესო უბე — პაგო-პაგო. ჰავა ტროპ., პასატურია. საშ. თვიური ტემპ-რებია 25–27°C. ნალექები 80-იდან 450 მმ-მდე წელიწადში. ტერიტ. ნახევარზე მეტი შემოსილია ტყით (ჭარბობს ხეგვიმრა). ცხოველთა სამყაროდან გვხვდებიან ძუძუმწოვრები (ვირთაგვა, ღამურა). სანაპირო წყლები მდიდარია თევზით (ზვიგენი, თინუსი, ბონიტო, მაკრელი, შიმშერი) და მოლუსკებით.

მოსახლ. უმრავლესობას შეადგენენ *სამოელები* (მ. შ. მეტისები), ცხოვრობენ აგრეთვე ამერიკელები, ოკეანიის სხვა კ-ებიდან გადმოსახლებულნი და სხვა ხალხი, რელიგია — ქრისტიანობა, ძირითადად პროტესტანტობა. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 35% ამერ. ადმ. მუშა. მოსამსახურეა, 11% დასაქმებულია თევზსაკონსერვო წარმოებაში, დანარჩენი — სოფ. მეურნეობაში, მომსახურების სფეროსა და ვაჭრობაში.

1900–51 ს. ა-ს განაგებდა აშშ-ის სამხ.-საზღვ. ფლოტის სამინისტრო. 1951 მმართველობა გადაეცა აშშ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამოელები გამუდმებით იბრძოდნენ პოლიტ. უფლებების გაფართოებისათვის. „ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „მაუს" (აზრი) მოძრაობა 20–30-იან წლებში. 1948 ამერ. ადმინისტრაცია იძულებული გახდა შეექმნა გუბერნატორთან ორპალატიანი საკანონმდებლო-სათათბირო ორგანო. 1960 აპრ-ში მიიღეს კონსტიტუცია. 1968 დაარსდა პირველი პოლიტ. პარტიები. 1969 შეიქმნა კომისია ს. ა-ის მომავალი პოლიტ. სტატუსის საფუძვლების შემუშავებისათვის.

ეკონ. მთავარი დარგებია თევზის კონსერვებისა და კოპრის წარმოება. სას.-სამ. მიწის დიდი ნაწილი სამოელთა ხელშია. მუშავდება ქვეყნის ტერიტ. 2/5. მთავარი საექსპორტო კულტურაა ქოქოსის პალმა. შიგა მოხმარებისათვის მოჰყავთ ბანანი, ტარო, ჩინ. კარტოფილი, შაქრის ლერწამი და სხვ. აშენებენ ღორსა და ფრინველს. არის თევზსაკონსერვო და კონსერვის ქილების დასამზადებელი საწარმოები. ექსპორტის ღირებულების 90%-ზე მეტს ქმნის თევზისა და გარნელის კონსერვები და სხვა თევზპროდუქტები აშშ-იდან შეაქვთ დაკონსერვებული პროდუქტები, დას. სამოიდან — ტარო და ბანანი. განვითარებულია ტურიზმი.

სამოდელო კომპლექტი, სამსხმელო ტექნოლოგიური ელემენტების ერთობლიობა, რ-ის დანიშნულებაა სამსხმელო ყალიბში სხმულის გარე კონტურებისა და შიგა ღრუს მიღება. ს. კ-ში შედის: სამსხმელო მოდელი, სამოდელო და მოდელქვეშა ფილები, საკოპე ყუთი, სასხმთა სისტემის ნაწილების მოდელები, საყალიბე და საკონტროლო შაბლონები, კონდუქტორები, საშრობი ფასლები და სხვ., ზოგჯერ ჩართულია სპეციალიზებული საყალიბეც. ს. კ-ის მასალად იყენებენ მერქანს, პლასტმასას, ლითონს, თაბაშირს და სხვ. ს კ-ს ამზადებენ შენადნობთა წრფივი ჩაჯდომის გათვალისწინებით.

მერქნის ს. კ-ს სიმტკიცის მიხედვით ყოფენ 3 კლასად. სიმტკიცის კლასი განაზღვრავს ს.კ-ის კონსტრუქციას და დამზადების ხარისხს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მისი ზომების სიზუსტესა და ხანგამძლეობას. სხმულის საჭირო სიზუსტის მიხედვით ამზადებენ 3 კლასის მერქნის ს. კ-ს. ს. კ-ის სიზუსტე უნდა აღემატებოდეს სხმულის საჭირო სიზუსტეს. მერქნის მოდელის სწრაფცვეთად ნაწილებს საჭიროების შემთხვევაში ლითონის არმატურას უკეთებენ. ლითონის ს. კ-ის ცვეთამედეგობას უმთავრესად დეტალების მოქრომვით ზრდიან.

მერქნის ს. კ-ს ამზადებენ ხის დასამუშ. ჩარხებზე, ლითონის ს. კ-ს — სპეც. საამქროებში. თერმორეაქტიული მასალისაგან ყალიბებისა და კოპების დასამზადებლად იყენებენ სპეც. ლითონურ აღჭურვილობას (ძირითადად ამზადებენ რუხი თუჯისაგან), რ-იც 400°C-მდე გახურებას უძლებს.

ს. კ-ს ინახავენ 20°C — ტემპ-რისა და 60% ფართობითი ტენიანობის პირობებში.

ლიტ.: Балабин В. В., Модельное производство, М., 1970.

სამოდიელი ხალხები, სამოედი ხალხები, სამოდიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების — ნენების, ენეების, ნგანასანების და სელკუპების საერთო სახელწოდება. რაოდ. 39 ათ-ზე მეტი კაცი (1979, აღწერა). ცხოვრობენ ჩრდ. არხანგელსკის, ტიუმენის, ტომსკის ოლქებსა და კრასნოიარსკის მხარეში. უმთავრესად ნენთა, იამალ-ნენთა და ტაიმირის (დოლგან-ნენთა) ნაციონალურ ოკრუგებში. XVII–XVIII სს-ში ს. ხ-ის ნაწილი ე. წ. სამხრეთის ს. ხ. (კამასინელები, მოტორები, კარაგასები და სხვ.) ცხოვრობდნენ სამხრ. ციმბირში. ეს ჯგუფი შემდგომში მთლიანად გაითქვიფა თურქულენოვან ტუველებში, ხაკასებსა და სხვ. ხალხებში, ნაწილი რუს მოსახლეობას შეერწყა. მკვლევართა აზრით, ს. ხ-ის ძვ. სამშობლოა სამხრ. ციმბირი. აქედან ისინი I–II ათასწლ. მიგნაზე რამდენიმე ეთნ. ტალღის სახით განსახლებულან ჩრდ-ში, სადაც მათ შეერია აბორიგენი მოსახლეობა, რ-იც ენობრივად ახლოს უნდა ყოფილიყო სამებთან, ნაწილობრივ კი იუკაგირებთან. 1917 ოქტ. რევოლუციამდე უმთავრესად მომთაბარეობას მისდევდნენ. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მათი განსახლების რ-ნებში შეიქმნა კოლ-ბები და საბჭ. მეურნეობები, რ-ებშიც ვითარდება მეირმეობა, ბეწვეულის რეწვა, თევზჭერა და სხვ. ს. ხ-ს ამჟამად ჰყავს ეროვნ. ინტელიგენცია.

სამოდიური ენები, სამოედური ენები, ურალური ენათა ოჯახის ენები; ს. ე-ზე ლაპარაკობს 34 ათ-ზე მეტი კაცი. ს. ე-ში შედის ენური, ნენური, ნგანასანური, სელკუპური და ამჟამად თურქულში (იაკუტურში) გათქვეფილი ენები (კამასინური, მოტორული, კარაგასული და სხვ.). ს. ე. აგლუტინაციურია. მათი ფონეტ. სტრუქტურა ძირითადად ერთნაირია: ხმოვანთა სისტემა განვითარებულია (15–25 ფონემა), სიტყვის დასაწყისში არ ხდება თანხმოვანთა შეჯგუფება. ფონეტ. კანონზომიერებანი ერთი და იგივე ტიპისაა. გრამატ. რიცხვი სამია: მხ., ორობითი, მრ.; 4 ძირითადი (სახ., ნათ., ბრალდებითი, მიც.) და 4 ლოკალური ბრუნვაა. ზმნაში გავრცელებულია ასპექტ-სახეობითი კატეგორია, რ-იც გამოხატავს მოქმედების ხანგრძლივობას, წამოწყებას, გამეორებას, ერთჯერობას. უღვლილება 3 ტიპისაა: სუბიექტური (გარდაუვალი). ობიექტური (გარდამავალი და უკუქცევითი. ს. ე. სინტაქსურადაც ძირითადად ერთნაირია. წინადადების წევრთა განლაგება მყარია: ქვემდებარე — დამატება — შემასმენელი. რთული წინადადებები ს. ე-ში არ განვითარებულა. ბევრია თურქ., მონღ., რუს. ენებიდან ნასესხები ფორმები. დამწერლობა მარტო ნენურ ენას აქვს.

ლიტ.: Языки народов СССР, т. 3, М., 1966.

სამოელები, სამოის კ-ების ადგილობრივი მოსახლეობა წყნარ ოკეანეში. რაოდ. კ-ებზე დაახლ. 222 ათ. კაცი (1978, შეფასება). წარმოშობით, ენითა და კულტურით განეკუთვნებიან დას. პოლინეზიელებს (იხ. აგრეთვე *პოლინეზიური ენები*). რელიგიით დაახლ. 80% პროტესტანტია, დანარჩენი. ძირითადად კათოლიკეა. მთავარი საქმიანობაა ტროპ. მიწათმოქმედება, თევზჭერა. განვითარებულ კაპიტალ. ურთიერთობასთან ერთად ინარჩუნებენ სასოფლო-თემის, დიდი ოჯახისა და ბელადების არჩევით-მემკვიდრეობითი ინ-ტის ტრად. ფორმებს.

სამოელი, ამ სახელით ცნობილია ქართლის 4 კათალიკოსი: 1. კათალიკოსი V ს. 70–80-იან წლებში. წარმოშობით ბერძენი. ვახტანგ გორგასლამა მოიწვია ბიზანტიიდან *პეტრესთან* და სხვ. ეპისკოპოსებთან ერთად. ჯერ ქართლის ეპისკოპოსი იყო, შემდეგ — კათალიკოსი. ქართლში მოწვევამდე, ბიზანტიასა და საქართველოს შორის საომარი კონფლიქტის დროს, ს-ისა და პეტრეს დიპლომატური მისიის შედეგად კონსტანტინოპოლში მიღწეულ იქნა მხარეთა დაზავება. ს. პირადად იცნობდა *შუშანიკს* და თანაუგრძნობდა მას.

წყარო: იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის გამოც., წგნ. 1, თბ., 1963; ჯუანშერი, ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

2. კათალიკოსი VI ს. შუა წწ. — VI ს. 70-იან წლებში. ს-ს მოუნათლავს სპარსი ცეცხლთაყვანისმცემელი ევსტათი, რ-იც აწამეს დაახლ. 550. მანვე ქართლის სხვა მთავრებთან ერთად სთხოვა ქართლის მარზპანს არავინდ გუშნასპს ქრისტიანობის მიღებისათვის დაპატიმრებული ევსტათის გათავისუფლება ციხიდან. ს-ს დაუკრძალავს ევსტათი მცხეთის საკათედრო ტაძარში.

წყარო: მარტყლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

3. კათალიკოსი VIII ს. პირველ მეოთხედში. საქართველოში მურვან ყრუს შემოსევების პერიოდში ს-ს ურბნელ ეპისკოპოსად უკურთხებია გაქრისტიანებული არაბი ნეოფიტე, რ-იც შემდეგ აწამეს.

წყარო: ბასილ ვაჩნაძე კათალიკოსი, თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოსათჳს, წგნ.: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955.



ვ. ვ. სამოილოვი.



ე. ე. სამოილოვი ნოზდრიოვის როლში (ნ. გოგოლის „მკვდარი სულების“ მიხედვით). ა. ლენსკის ნახატი.



ე. სამოილოვი (მარცხნივ) შორსის როლში ფილმში „შორსი“. 1939.

4. კათალიკოსი VIII ს. 80-იან წლებში. მისი შეკვეთით მღვდელმა იოანე საბანის ძემ, წმ. აბოს მეგობარმა, დაწერა „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“.

წყარო: იოანე საბანისძე, მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგნ. 1, თბ., 1963.

ბ. ლომინაძე.

სამოელი, კახეთის მთავარი, ქორეპისკოპოსი 839—861. მისი მთავრობის პერიოდში კახეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში თბილ. საამიროსა და არაბთა სახალიფოს ცენტრ. ხელისუფლებას შორის. ამ ბრძოლებში ს. თბილ. ამირას მოკავშირე იყო. განსაკუთრებით გამწვავდა ეს ბრძოლა IX ს. 40-იან წლებში. ქართ. და არაბ. წყაროთა ცნობებით, 840—842 წლებში კახელების წინააღმდეგ ლაშქრობები მოაწყო ცნობილმა არაბმა სარდალმა ხალიდ იბნ იაზიდმა. ს-ის დროს მოხდა აგრეთვე ბულა თურქის ლაშქრობაც (853—854).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსაჲ, წგნ.: ქართლის ცხოვრებაჲ, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

თ. პაპუაშვილი.

სამოთრაკი (Samothrakē), სამოთრაკია, კუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდ. ნაწილში. საბერძნეთის ტერიტორია. ფართ. 176 კმ², სიმაღლე 1586 მ-მდე. აგებულია გნაისებით, ამფიბოლიტებითა და მარმარილოებით. არის მინერალური წყაროები. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ბუჩქოვანი მცენარეულობა, არის მუხის კორომები. აშენებენ ზეთისხილს. მეთხეობა, მეთევზეობა. მთავარი დასახლ. პუნქტია სამოთრაკი.

სამოთხის ფრინველისებრნი (Paradisaeidae), ფრინველთა ოჯახი *ბეღურასნაირთა* რიგისა. აერთიანებს სხვადასხვა ზომის ფრინველებს. გავრცელებული არიან ახალი გვინეისა და მახლობელი კ-ების ხშირ ტყეებში, რამდენიმე სახეობა — ჩრდ. და აღმ. ავსტრალ. ტყის ზონაში. ს. შ-თვის დამახასიათებელია სქესობრივი დიმორფიზმი. მამლები უფრო მკვეთრი ფერის ბუმბულით არიან შემკულნი, აქვთ ე. წ. „სამკობი“ ბუმბული — წითელი, ყვითელი, ლურჯი ან მწვანე ფერისა. საერთო შეფერილობა მუქია. ს. შ. აერთიანებენ 20 გვარის 43-მდე სახეობას. ბუდობენ ხეებზე, დედალი დებს 2 კვერცხს და კრუხობს. იკვებებიან ქენკრით, თესლით, ხილით, მწერებით, იშვიათად ბაყაყებითა და ხელიკებით. წინათ მასობრივად სპობდნენ ლამაზი ბუმბულის გამო, რ-საც სამკაულად იყენებდნენ. ამჟამად მცირერიცხოვანნი არიან, რის გამოც მათ იცავენ.

რ. ფორდანია.

ილუსტრაცია — **იხ.** ჩანართი, გვ. 97.

სამოთხის ჩიტი (ლათ. Apus), ცის სამხრ. პოლუსის ახლოს განლაგებული *თანავარსკვლავედი.* ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავების ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეებია* 3,8 და 3,9. სსრკ ტერიტორიიდან არ ჩანს.

სამოილოვა (ქალიშვილობის გვარი გრომოვა) კონკორდია ნიკოლოზის ასული (1876, ირკუტსკი, — 2. VI. 1921, ასტრახანი), ქალთა პროლეტარული მოძრაობის მოღვაწე რუსეთში. კომპარტიის წევრი 1903-იდან. 1897 მონაწილეობდა პეტერბ. სტუდენტთა მოძრაობაში. 1901 დააპატიმრეს, 1902 გაემგზავრა პარიზში, სადაც „*ისკრას*“ მიემხრო. 1903 იყო რსდმპ ტვერის, 1905—07 ოდესის, როსტოვის, მოსკ. საოკრუგო, ლუგანსკის კომიტეტების წევრი, შემდეგ მუშაობდა ბაქოში. 1909—10 რსდმპ პეტერბ. კომიტეტის წევრი. 1912 გაზ. „პრავდის“ რედაქციის მდივანი, 1914 ჟურნ. „*რაბოტნიცის*“ რედკოლეგიის წევრი. არაერთხელ დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 თებ. რევ. შემდეგ ორგანიზაციულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა პეტროგრადში. ოქტ. რევ. შემდეგ რსდმპ (ბ) პეტერბ. კომიტეტთან არსებული მუშა ქალთა შორის მუშაობის კომისიის თავ-რე. 1920—21 სრულიად რუს. ცაკის საგიტაციო გეშის „კრასნაია ზვეზდას“ პოლიტ. განყ-ბის გამგე. რსდმპ V ყრილობის, რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის, რკპ (ბ) VIII ყრილობის დელეგატი.

სამოილოვა როზალია სამუილის ასული (1876—1947), საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. იხ. *შემლიაჩკა რ. ს.*

სამოილოვები, რუს მსახიობთა ოჯახი. ვასილი მიხეილის ძე ს. [6 (17). IV. 1782, მოსკოვი, — 11 (23). VII. 1839, პეტერბურგი], პეტერბურგის დიდი თეატრის მსახიობი (1803—39). ძირითადად გამოდიოდა ოპერაში (ასრულებდა ტენორისა და ბარიტონის პარტიებს); თამაშობდა დრამ. სპექტაკლებშიც. წარმატებით ასრულებდა ლირიკულ-დრამატულ პარტიებს ფრენცლის, კ. კავოსის, ფ. პაერის და სხვ. ოპერებში. სოფიო ვასილის ასული ს. (ქალიშვილობის გვარი ჩურნიკოვა [1787. 19. II (3. III). 1854], დრამ. თეატრისა და ოპერის მსახიობი, ვასილი ს-ის მეუღლე. ს-ს დებიუტი შედგა 1804 პეტერბ. სცენაზე. გამოდიოდა ოპერებში (მაშა, კავოსის „ივან სუსანინი“ და სხვ.), ოპერა-ვოდევილებში (ზულემა, პისარევის „ხალიფის გართობანი“, ალიაბიევის და სხვ. მუსიკა და სხვ.), სცენა დატოვა 1843. ვასილი ვასილის ძე ს. [13. (25). I. 1813, პეტერბურგი, — 27. III (8. IV). 1887, იქვე], დრამ. მსახიობი, ვასილ და სოფიო ს-ის შვილი. ს-ის დებიუტი შედგა 1834, შეასრულა იოსების პარტია მეიულის ოპერაში „იოსები“. 1835—75 ალექსანდრას თეატრის დასშია. როლები: რასტაკოვსკი (გოგოლის „რევიზორი“), კრომველი (მერისის „ჟორჟ ტრევორი“, რაუპახის „კრომველი“ და „კრომველის სიკვდილი“), ლირი (შექსპირის „მეფე ლირი“) და სხვ. პავლე ვასილის ძე ს. [29. VI (11. VII). 1866, პეტერბურგი, — 16. IV. 1931, ლენინგრადი], დრამ. მსახიობი, რესპ. დამს. არტისტი (1923). ვასილი ს-ის შვილი. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო პეტერბურგში 1888. გამოდიოდა კორშის (1891—93), ვ. კომისარჟევსკაიას (1904—05) თეატრებში. 1900—04 და 1920—24 ალექსანდრას თეატრის დასშია. როლები: ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“), ჩაცკი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), ხლესტაკოვი (გოგოლის „რევიზორი“), ასტროვი (ჩეხოვის „ძია ვანია“), სტორიციინი (ანდრეევის „პროფესორი სტორიციინი“), ოსვალდი (იბსენის „მოჩვენებები“) და სხვ.

სამოილოვი ალექსანდრე ფილიპის ძე [26. III (7. IV). 1867, ოდესა, — 22. VII. 1930, მოსკოვი], საბჭ. ფიზიოლოგი. მუშაობდა ი. *პავლოვთან* (1893—96) და ი. სეჩენოვთან (1896—1903). ყაზანის (1903-იდან) და მოსკ. (1924-იდან) უნ-ტების პროფესორი. განავითარა ფიზ-ქი. მიმართულება ფიზიოლოგიაში. ს-ის „ამოკვლევებმა ელექტროფიზიოლოგიაში (გამოიყენა მის მიერ გაუმჯობესებული კაპილარული ელექტრომეტრი და სმ,ბიანი გალვანომეტრი) საყოველთაო აღიარება მოიპოვა. *ელექტროკარდიოგრაფიის* ერთერთი შემქმნელია. 1930 მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახ. პრემია.

სამოილოვი ევგენი ვალერიანის ძე [დ. 3 (16). IV. 1912, პეტერბურგი] საბჭოთა მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1974). სკკპ წევრი 1951-იდან. 1930 დაამთავრ. ლენინგრ. სამხატვრო პოლიტექნიკური ინ-ტი და შევიდა „სამსახიობო ოსტატობის ჰუაჯრის“ დასში. 1934—38 ვს. მეიერხოლდის სახ. თეატრის მსახიობია, 1940—67—მოსკ. ვ. მაიაკოვსკის სახ. თეატრის, ხოლო 1961-იდან მცირე თეატრის. როლები: ოლეგ კოშევოი („ახალგაზრდა გვარდია“ ფადეევის ჰომონიმით), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“), პლატონოვი (შტეინის „ოკეანე“), ივასონი (ევრიპიდეს „მედეა“) და სხვ. 1934-იდან იღებენ კინოში. როლები: ნიკოლოზ შორსი („შორსი“, 1939), ლებედევი („ნათელი გზა“, 1940), კუდრიაშოვი („სიცოცხლე ექვს საათზე ომის შემდეგ“, 1941), ფრუნზე („საამიროს დაღუპვა“, 1955) და სხვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941 1946, 1947). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენითა და მედლებით.

სამოილოვი თედორე ნიკიტას ძე [12 (24). IV. 1882, სოფ. გომილკინი, ახლანდ. ივანოვოს ოლქი, — 13. VI. 1952, დაბ. კრასტოვო, მოსკ. ოლქი], რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთში. კომპარტიის წევრი 1903-იდან. ივანოვო-ვოზნესენსკის 1905 გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. IV სახელმწ. სათათბიროს დეპუტატი ვლადიმირის გუბ. მუშებისაგან. 1914 სათათბიროს სხვა ბოლშევიკ დეპუტატებთან ერთად დააპატიმრეს და სამუდამოდ გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში. 1917 თებ. რევ. შემდეგ ივანოვო-ვოზნესენსკის საბჭოს თავ-რე და რსდმპ (ბ) კომიტეტის წევრი. 1918 რსდმპ (ბ) ივანოვო-ვოზნესენსკის კომიტეტის მდივანი, შრომის საგუბერნიო კომისარი, გუბ. რევტრიბუნალის თავ-რე. 1919 უკრ. შრომის საბკომის ბოადგილე, სრულიად რუს. ცაკის რწმუნებული ბაშკ. რევკომში. 1922 რკპ (ბ) ცკ-ის პარტისის გამგის მოადგილე, 1928 საკ. კპ(ბ) მოსკ. კომიტეტის პარტისის გამგე. 1932—35 ძვ. ბოლშევიკთა სრულიად საკავშ. საზის თავ-რის მოადგილე. 1941-იდან პერსონალური პენსიონერი. პარტიის XII, XIV—XVII ყრილობების დელეგატი, იყო ცაკის წევრი.

სამოკიში ნიკოლოზ სემიონის ძე [13 (25). X. 1860, ნეჟინი, — 18. I. 1944, სიმფეროპოლი], საბჭ. ფერმწერი, მხატვარ-ბატალისტი. რსფსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე (1937). სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1879—85; პენსიონერი პარიზში 1886—89). პეტერბ. სამხატვრო აკად. ნ. წ. (1913). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას 1912-იდან. ს-მა განავითარა XIX ს. II ნახევრისა და XX ს. რუს. ბატალური ფერწერის ტრადიციები („წითელი არმიის გადასვლა სივაშზე“, 1935, სიმფეროპოლის სამხატვრო მუზეუმი; სსრკ სახელმწ. პრემია, 1941). თბილისის „დიდების ტაძრისათვის“ შეასრულა სამი სურათი, მ. შ. „ბრძოლა მდინარე იორზე ომარ-ხანის წინააღმდეგ“ (1888. საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). მუშაობდა აგრეთვე ანიმალისტურ ჟანრსა და წიგნის გრაფიკაში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

სამოლეთი, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში, მდ. ტბეთის (ჩირუხისწყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. უჩამბის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., გოგაძეები, კვირიაული, ლაკლაკეთი, მოფრი-

ნეთი, ტბეთი, ცინარეთი, წაბლანა, ჯაბნიძეები). ზ. დ. 700 *მ*, შუახევიდან 10 *კმ*. ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მევენახეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სამომრიგებლო სასამართლო, სასამართლო სისტემის ქვედა რგოლი ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყანაში. განიხილავს მცირემნიშვნელოვან სისხლისსამართ. და სხვა წვრილმან საქმეებს გამარტივებული წესით. თავდაპირველად შეიქმნა ინგლისში (XIV ს.), შემდეგ — ჩრდ. ამერიკაში (XVII ს.). რევოლუციამდელ რუსეთში ს. ს. დაწესდა 1864 (იხ. *სასამართლო რეფორმა 1864*) და შედგებოდა უბნის მომრიგებელი მოსამართლეებისა და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობისაგან (საპელაციო ინსტანცია). უბნის მომრიგებელი მოსამართლეები (I ინსტანცია) იხილავდნენ სამოქალაქო საქმეებს, როცა სარჩელო მოთხოვნა 500 (შემდეგ კი 1000) მანეთს არ აღემატებოდა, აგრეთვე — ზოგიერთ სისხლის სამართ. საქმესაც. სამაზრო საერობო კრება, ქ-ებში კი საქალაქო გამგეობა, მომრიგებელ მოსამართლეებად 3 წლის ვადით ირჩევდა ისეთ პირებს, რ-თაც საკუთრებად ჰქონდათ 3000 მანეთზე არანაკლები ღირებულების უძრავი ქონება და აკმაყოფილებდნენ აგრეთვე ზოგიერთი სხვა ცენზის მოთხოვნებსაც.

ამიერკავკასიასა და რუს. იმპერიის სხვა განაპირა მხარეებში მომრიგებელ მოსამართლეს განათლების ცენზის მიხედვით ნიშნავდა იუსტიციის მინისტრი. მინისტრს მოსამაროლის დათხოვა შეეძლო მხოლოდ მეფის ნებართვით. ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, საოკრუგო სასამართლოს ოლქი იყოფოდა სამომრიგებლო განყ-ებებად. მომრიგებელ მოსამართლეებს ჰყავდათ თანაშემწეები. მათ კომპეტენციაში შედიოდა სამოქალაქო საქმეთა განხილვა, როცა დავა 2000 მანეთს არ აღემატებოდა. სააპელაციო ინსტანცია იყო საოკრუგო სასამართლო. მომრიგებელ მოსამართლეებად მუშაობდნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი) და სხვ. 1888 ს. ს. გაუქმდა.

სამოშველო, სამოსამშელო, სამშელო, პირგასამტეხლო, საზღაური ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის ძვ. ქართულ სამართალში. გათვალისწინებულია ბექას და აღბუღას სამართ. წიგნში (მ. 89). კერძოდ, საჯდომი პირუტყვის („საჯდარი რამე") ყიდვა-გაყიდვისას, უკეთუ დათქმულ ვადაში ცხოველს „ზნე („ზიანი") რამე გამოაჩნდებოდა", ხელშეკრულების მოშლა „უსამშელოდ" შეიძლებოდა; „პაემანს გარეთ" ნასყიდობის მოშლისათვის კი მყიდველი გამყიდველს კანონის ძალით ს-დ ფასის ერთ მეათედს აძლევდა.

წყარო: აღბუღას სამართალი, წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ი. ფუტკარაძე.*

სამომხმარებლო ბიუჯეტი, ოჯახის შემოსავალ-გასავლის ბალანსი, რ-იც ახასიათებს მშრომელთა ოჯახების სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების დონეს. ს. ბ. გეიწვევნების ოჯახების შემოსავალს წყაროების მიხედვით და დანახარჯს მათი დანიშნულების მიხედვით. ფაქტობრივი ს. ბ-გან განსხვავებენ ნორმატიულ სამომხმარებლო-საანგარიშსწორებო ბიუჯეტს, რ-იც ემყარება განსაზღვრულ ნორმებსა და ნორმატივებს.

სამომხმარებლო კოოპერაცია, მომხმარებელთა გაერთიანება სამომხმარებლო საქონლის ერთობლივი შესყიდვის, წარმოებისა და გაყიდვის მიზნით. ს. კ. აღმოცენდა კაპიტალიზმის პირობებში, როგორც ქალაქის პროლეტარიატის ეკონ. ბრძოლის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება და ბრძოლის ფორმა ქალაქისა და სოფლის იმ წვრილ მწარმოებელთა წინააღმდეგ, რ-ებიც სამეურნეო დამოუკიდებლობას კარგავდნენ. მუშათა და გლეხთა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები გაჩნდა XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყისში დიდ ბრიტანეთში, შემდეგ გავრცელდა ევრ. სხვა ქვეყნებში. თანამედროვე პირობებში ს. კ. გავრცელებულია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. ზოგიერთ ქვეყანაში ს. კ-ის ფუნქციას ასრულებს გამსაღებელ-მომმარაგებელთა და საკრედიტო კოოპერატივები. განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში ს. კ-ის წილად მოდის ქვეყნის საქონელბრუნვის 8—36%.

რუსეთში ს. კ. აღმოცენდა XIX ს. 60-იან წლებში; 1916—17 წლებში მომხმარებელთა საზ-ბების რაოდენობა რუსეთში აღემატებოდა დას. ევრ. მომხმარებელთა საზ-ბების ოდენობას, მათ წილად მოდიოდა ქვეყნის მთლიანი საქონელბრუნვის 35%.

საქართველოში დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვების შემდეგ ს. კ-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქონელბრუნვის სფეროდან კერძო კაპიტალის განდევნაში, საბჭ. სავაჭრო აპარატის შექმნაში, ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებაში. 1919 საბჭ. რუსეთში მომხმარებელთა კოოპერატივების რაოდენობა გაიზარდა 50 ათ-მდე. 1927 სოფლად სამომხმარებლო საზ-ბებში ირიცხებოდა 9,8 მლნ. მეპაიე, ანუ გლეხური მეურნეობების 39%, 1928 — მეურნეობათა 54,2%, 1929—58 — 3%, თანამედროვე პირობებში სსრკ-ში ს. კ. ვაჭრობის გარდა ახორციელებს კოლბებისა და მოსახლეობისაგან სოფ. მეურნ. ნედლეულისა და პროდუქტების დამზადებას, ზოგიერთი მოხმარების საგნების წარმოებას და სხვ. (იხ. *ცეკავშირი*).

სხვა სოციალ. ქვეყნებში ს. კ. იქცა სოციალიზმის მშენებლობის, საქონელბრუნვის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ს. კ., ისევე როგორც კოოპერაციის სხვა სახეები, მოქმედებს სახელმწიფოს მხარდაჭერით (იხ. *კოოპერაციული მოძრაობა*). *ს. მოსიძე.*

სამომხმარებლო კრედიტი, მოსახლეობისათვის პირადი მოხმარების ნივთების შესაძენად ან საყოფაცხოვრებო მომსახურების ანაზღაურებისათვის გაცემული კრედიტი. კაპიტალისტურ ქვეყნებში ს. კ. სავაჭრო ორგანიზაციის, ბანკებისა და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების კრედიტია. ს. კ-ზე მაღალი პროცენტი (10—12) კოლოსალურ მოგებას იძლევა.

სოციალ. ქვეყნებში ს. კ. მოსახლეობას ეძლევა სახელმწიფო და კოოპ. სავაჭრო ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საგნების შესაძენად.

საქონლის კრედიტით შეძენისას მყიდველი ნაღდად იხდის საქონლის ფასის 20—25%-ს. დარჩენილი კრედიტის დაფარვის ვადა განსხვავებულია. კრედიტით სარგებლობისათვის მყიდველი ყოველწლიურად იხდის ანგარიშსწორების 1—2%-ს.

სამონადირეო მეურნეობა, ბუნების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-სამეურნეო სისტემა, რ-იც უზრუნველყოფს გარეული ნადირ-ფრინველის მოპოვებას სანადირო პროდუქციის (იხ. *ნადირობა*) მაქს. რაოდენობით მისაღებად და ცხოველთა რაოდენობრივ შენარჩუნებას პოპულაციისათვის ოპტიმალურ დონეზე. საქ. სსრ-ში შექმნილია *ნაკრძალები*, აღკვეთილები, სახელმწ. და მიწერილი ს. მ-ები ძვირფასი სახეობის ნადირ-ფრინველთა დასაცავად და მოსამრავლებლად.

საქართველოში ძირითადად განვითარებულია სპორტ. ს. მ., რ-შიც გაერთიანებულია 70 ათ. კაცი (1983). ამჟამად საქართველოში 5 სახელმწ. და 61 მიწერილი ს. მ-ა. სანადირო საკარგული 4 მლნ. ჰა შეადგენს. აქედან ნაკრძალებს უჭირავს 140 ათ. ჰა, აღკვეთილებს — 27 ათ. ჰა, სახელმწ. ს. მ-ს — 58,9 ათ. ჰა, მიწერილ ს. მ-ს — 2,774 ათ. ჰა. დანარჩენი — სხვა საზ. ორგანიზაციებს ეკუთვნის. ს. მ-ები რესპუბლიკის დამამზადებელ ორგანიზაციებს ყოველწლიურად 80 ათ. მანეთამდე ღირებულების ბეწვეულს აბარებენ. ს. მ-ებს ზედამხედველობას უწევს საქ. სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო. *გ. ენუქიძე.*

სამონასტრო გლეხები რუსეთში, მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობის ფეოდალურ-დამოკიდებული მოსახლეობის კატეგორია XI ს-იდან XVIII ს. შუა წლებამდე, მიტროპოლიტ კიპრიანეს სიგელით 1391 ს. გ-ს უნდა გადაეხადათ ღალა, საბატონო ბეგარა და შეესრულებინათ ყველა სამეურნეო სამუშაო. XV—XVI სს-ში საერთოდ გაძლიერებული ბატონყმური ტენდენციები ს. გ-ზედაც გავრცელდა. ს. გ. გამოდიოდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ, ბევრი მათგანი მონაწილეობდა გლეხთა ომში ს. რაზინის წინამძღოლობით.



ა. სამოილოვი.

სამონეტო კონვენციები და კავშირები, სახელმწიფოებს შორის შეთანხმება მონეტის წონისა და სინჯის სტანდარტიზაციისა და მათი ურთიერთმიღების შესახებ. მონეტური შეთანხმების ფორმებია *ლათინთა სამონეტო კავშირი* (1865—1926) და სკანდინავიის სამონეტო კავშირი (1872—1924).

სამონეტო პარიტეტი, 1. კანონმდებლობით დადგენილი სავალუტო ლითონის შემცველობა მონეტაში. 2. სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის თანაფარდობა მონეტაში კანონმდებლობით დადგენილი წმინდა ოქროს (ვერცხლის) რაოდენობის შესაბამისად. გადაუხურდავებელი *ბანკნოტების* მიმოქცევის პირობებში ს. პ-მა პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა.

სამონეტო რეგალია, სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება მონეტის მოჭრასა და მიმოქცევაში გაშვებაზე. ს. რ-ის საფუძველზე სახელმწიფო ახორციელებს სამონეტო კანონმდებლობას, განსაზღვრავს მონეტის დასახელებას, მასალას, სინჯს, წონას, ზომას, მის გარეგან განმასხვავებელ ნიშნებს, *რემედიუმს* და ა. შ.

სამონეტო შემოსავალი, მონეტის მოჭრით მიღებული სახელმწიფოს შემოსავალი — სხვაობა არასრულფასოვანი მონეტის ნომინალურ ღირებულებასა და მისი (ე. ი. მონეტის) შემცველი ლითონის საბაზრო ღირებულებას შორის (მოჭრის დანახარჯების გამოკლებით). ს. შ. იზრდებოდა მონეტის გაფუჭების ხარჯზე. თანამედროვე კაპიტალ. ქვეყნებში გადასახურდავებელი მონეტების ხვედრითი წილი მიმოქცევაში არსებულ ფულის მასაში შედარებით უმნიშვნელოა, ამიტომ ს. შ. არ ასრულებს არსებით როლს ბურჟ. სახელმწიფოების შემოსავალში.



თ. საბოილოვი.

სამონეტო ხელშეკრულება, სახელმწიფო კანონით დადგენილი წესები, რ-ებიც საზღვრავს *მონეტის* მოჭრას. ს. ხ. განსაზღვრავს მონეტის მოჭრის ხასიათს (თავისუფალი თუ დახურული), სავალუტო ლითონის სინჯს, მასას, ტიპსა და გამოსაშვები მონეტის ლეგენდას, მიმოქცევიდან მონეტის ამოღების წესს, *რემედიუმს* მისი მოჭრისას და სხვა. ს. ხ. იცვლება ფულადი სისტემის შეცვლის კვალობაზე. ს. ხ-ის დარღვევა კანონით აკრძალულია.

სამოს სახელმწიფო, დას. და ნაწილობრივ სამხრ. სლავების პირველი, ისტორიულად ცნობილი პოლიტიკური გაერთიანება. დაარსა სლავმა მთავარმა სამომ (623—658). ს. ს. წარმატებით უბრძოლა *ავარებსა* და ფრანკებს. ს. ს-ს როგორც პოლიტ. გაერთიანების, მისი ხასიათის შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგი მკვლევარი მას ტომთა კავშირად მიიჩნევს, ზოგი სახელმწიფოდ.

სამოსუდი სამეულ აბრამის ძე [2 (14). V. 1884, თბილისი, — 6. XI. 1964, მოს-



ს. სამოსუდი.

კოვი], საბჭ. დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1937). 1906 დაამთავრა თბილ. სამუსიკო სასწავლებელი. შემდეგ სწავლობდა პრაღაში ჰ. ვიჰანთან, პარიზში პ. კასალსთან და „სხოლა კანტორუმში“. 1917—19 იყო მარიამის თეატრის დირიჟორი, 1918 — 36 — ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. 1936—43 იყო დიდი თეატრის, ხოლო 1943—50 — სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს. თეატრის მთავარი დირიჟორი. დადგმებიდან აღსანიშნავია: ძერჟინსკის „გატეხილი ყამირი“ (1937), გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“ (1937, ახ. სასცენო რედ.), და „ივან სუსანინი“ (1939, სსრკ სახელმწ. პრემია, 1941), კაბალევსკის „ტარასის ოჯახი“ (1947, II რედ. 1951, სსრკ სახელმწ. პრემია, 1952). დადგა აგრეთვე პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“ (1946, ლენინგრ. მცირე საოპერო თეატრი, სსრკ სახელმწ. პრემია, 1947). დააარსა და ხელმძღვანელობდა საკავშ. რადიოს სიმფ. ორკესტრსა (1953—57) და საკავშ. რადიოსა და ტელევიზიის საოპერო-სიმფ. ორკესტრს (1957-იდან). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

საავტოციკლო სპორტი, ტექნიკური სპორტის სახეობა; შეჯიბრი სპორტული და სამგზავრო მოტოციკლეტებით რბოლაში, რ-იც ტარდება სპეც. ტრასებზე, გზებზე და უგზოობის პირობებში. შეჯიბრი მოტოციკლეტების ყოველი კლასისათვის ცალ-ცალკე ტარდება. ს. ს. მოიცავს: გზატკეცილზე სწორხაზოვან და წრიულ რბოლას (1,5 კმ მეტი სიგრძის შეკრულ ტრასაზე), მოტოკროსს — დასერილ ადგილზე, უფრო ხშირად 1,5—5 კმ სიგრძის შეკრულ წრიულ ტრასაზე, სამოტოციკლეტო მრავალჭიდს, რ-იც 6 დღემდე გრძელდება (ღამე დასვენებით), სატრეკო რბოლას სტადიონის დაწიდულ ან ყინულოვან გზაზე, საიპოდრომო რბოლას — იპოდრომის მიწიან გზაზე, ფიგურულ რბოლას და ტრასებზე რეკორდის დამყარებას, როდესაც ავითარებენ მაქსიმალურ სიჩქარეს მოტობურთს — გუნდურ თამაშს ბურთით, მოტორალის და სხვ. ს. ს-ში პირველი შეჯიბრი ჩატარდა 1895 მარშრუტით პარიზ — ბორდო — პარიზი. რუსეთში პირველი ოფიციალური შეჯიბრი მოეწყო 1898 პეტერბურგთან ახლო. XX ს. დამდეგიდან რეგულარულად ტარდებოდა მოტორბოლა მარშრუტით პეტერბურგი—მოსკოვი. სსრკ პირველი შეჯიბრი (საიპოდრომო რბოლა) ჩატარდა 1924, 1930-იდან მიიღო მასობრივი ხასიათი. 1956-იდან სსრკ შედის ს. ს-ის საერთაშ. ფედერაციაში, აქედან იწყება საბჭ. სპორტსმენების რეგულ. მონაწილეობა საერთაშ. შეჯიბრებებში.

საამოვარი, მეფის სახასო ან მსხვილი საერო და საეკლესიო ფეოდალების სამფლობელო ტერიტორიის ნაწილი შუა საუკ. საქართველოში, რ-საც მოურავი განაგებდა. ს-ს არსებობას XIII ს-იდან ვარაუდობენ, მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XV ს-იდან, როდესაც საქართველოს პოლიტ. დაშლის შედეგად მოიშალა ძვ. ცენტრალიზებული მმართველობა, გადავარდა საერისთავოების სისტემა და მისი ადგილი სათავადოებმა დაიკავეს. ს. სხვადასხვა სიდიდისა და მნიშვნელობისა იყო— ერთი ან ორი სოფლიდან მთელ პროვინციამდე (მსხვილი სამეფო ს-ები იყო ქიზიყისა, თუშეთისა, ენისელისა, ბამბაკისა, ყაზახისა, თრიალეთისა და სხვ.). დროდადრო კახეთის მეფეები (თეიმურაზ I, ერეკლე I, ერეკლე II) ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებისა და ცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარებისას ცდილობდნენ შეეზღუდათ ან გაეუქმებინათ სათავადოები და სხვ. ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტ. ერთეულები და მათ მაგივრად დაენერგათ ს-ების სისტემა [მაგ., XVIII ს-ში გაუქმდა არაგვისა და ქსნის საერისთავოები (სათავადოები), ყაზახისა და ბორჩალოს სახანოები, სადაც შემდეგ ს-ები დაწესდა]. ს-ს სისტემა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმდა.

ლიტ.: ასათიანი ნ., სახელმწიფოებრივი რეფორმების საკითხისათვის XV საუკუნის კახეთის სამეფოში, კრ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; კოპალიანი ჯ., მოურავის ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში, «საისტორიო კრებული», 1973, [ტ.] 4; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ნ. ასათიანი.

საამოქალაქო, ძველი ქართული ტერმინი, აღნიშნავდა ფეოდალური ხანის ქალაქის სანახებს, მის ე. წ. „მიმდგომ ქვეყანას“ — ქალაქისაგან ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად დამოკიდებულ ტერიტორიას. წყაროებში გვხვდება XI ს-იდან ქუთაისის სანახების აღსანიშნავად („ქუთაისისა სამოქალაქო“), რ-იც ტერიტორიულად მოიცავდა დაახლ. ძვ. მოხარისის ფარგლებს (თითქმის იგივეა, რაც გვიანდელი ხანის „ვაკე იმერეთი“). ს. წარმოადგენდა ჯერ გაერთ. საქართველოს, შემდეგ კი იმერეთის მეფეთა დომენს.

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 2, თბ., 1980; ჩაგვეტაძე ვ., ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960; ჩხატარაიშვილი ჭ., ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1971, №4.

დ. მუსხელიშვილი.

საამოქალაქო ავიაცია, იხ. *საამოქალაქო-საჰაერო ფლოტი.*

საამოქალაქო ავიაციის უმაღლესი სასწავლებლები, ამზადებს საფრენი აპარატების, აეროპორტების რადიოელექტრონულ, ელექტრომოწყობილობისა და ხელსაწყოთა მოწყობილობების ტექნიკური ექსპლუატაციის, საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, აეროპორტების ექსპლუატაციისა და რემონტის და სხვ. პროფილის ინჟინრებს. სსრკ-ში 1984 იყო 6 ს. ა. უ. ს.: კიევის (1933), რიგის ლენინური კომკავშირის სახ. (1960), მოსკ. (1971), ლენინგრ. (1955, 1971 გადაკეთდა სამოქალაქო ავიაციის აკადემიად), აქტუბინსკისა (1974) და კიროვოგრადისა (1974). სწავლების ვადა 4—5,5 წელია. ყველა უმაღლეს სასწავლებელს აქვს დღისა (გარდა რიგის სასწ.) და დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები, ასპირანტურა, ზოგს ფილიალები სხვა ქ-ებში. კიევის სასწავლებელს უფლება აქვს დაცვისათვის მიიღოს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რიგისა და ლენინგრადისას კი — მხოლოდ საკანდიდატო დისერტაციები.

საამოქალაქო გრუნტა, იურიდიული ფაქტების (მაგ., გარიგებების, საგებმო და სხვ. ადმ. აქტების) ერთობლიობა და მათ საფუძველზე წარმოშობილი მართლურთიერთობანი, რ-თა ძალით ქონება გადადის სამართლის ერთი სუბიექტიდან (ერთი პირიდან) მეორეზე. სსრკ-ში ს. ბ-ის მონაწილენი არიან სოციალ. ორგანიზაციები (*იურიდიული პირები*) და მოქალაქენი. ს. ბ. მოიცავს ქონების გადასვლას როგორც სასყიდლით (მაგ., ყიდვა-გაყიდვა), ისე უსასყიდლოდ (მაგ., ჩუქება); როგორც საკუთრებაში ან ოპერატიულ მმართველობაში (იხ. *ოპერატიული მმართველობის უფლება*), ისე დროებით მფლობელობასა ან სარგებლობაში (მაგ., შესანახად). ს. ბ-ის დამახასიათებელი თვისებაა მონაწილეთა იურიდ. თანასწორუფლებიანობა, იმის მიუხედავად, თუ რა საფუძველზე ხდება ქონების გადაცემა. *გარიგებათა* წრე, რ-თა საფუძველზეც ხორციელდება ს. ბ., დამოკიდებულია ქონების სოც.-სამეურნეო მნიშვნელობაზე, მაგ., მიწა, წიაღისეული ტყე შეიძლება გადაიცეს მხოლოდ სარგებლობაში.

ბურუ. ქვეყნებში ს. ბ-ის ცნებ: ემთხვევა კერძო ბრუნვის ცნებას.

საამოქალაქო დრო, დროის აღრიცხვის სისტემა, რ-საც საფუძვლად უდევს საშ. მზისიერი *დღე-ღამე*. ოღონდ საშ. მზისიერ დროში დღე-ღამის დასაწყისად მიღებული იყო ადგილ. საშ. შუადღე, ს. დ-ში კი — ადგილ. საშ. შუაღამე. ამ შემთხვევაში ს. დ. ეტოლება საშ. მზისიერ დროს პლუს 12 *სთ*. ამჟამად მიღებულია, რომ საშ. მზისიერ დროშიც დღე-ღამე იწყება ადგილ. საშ. შუაღამიდან, ამიტომ ს. დ. საშ. მზიურ დროს ემთხვევა და ტერმინ ს. დ.-ს ხმარება გამარტლებული აღარაა. იხ. სტ. *დრო*.

საამოქალაქო თავდაცვა, მშვიდობიანობისა და ომის დროს მტრის შესაძლო თავდასხმისაგან მოსახლეობის დაცვისა და სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად დასახულ თავდაცვის ღონისძიებათა სისტემა. მოსახლ. და სახ. მეურნ. დაცვის ღონისძიებები ხორციელდებოდა ჯერ კიდევ I ს\ოფლიო ომის დროს 1914—18. ბირთვული იარაღისა და რაკეტების გაჩენა — განვითარების შედეგად 1950-60-იან წლებში ს. თ. შეიქმნა თითქმის ყველა უდიდეს სახელმწიფოში. ს. თ-ს საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ მთავრობები, ხოლო ადგილებზე — ხელისუფლების ადგილ. ორგანოები. ს. თ-ის უშუალოდ ხელმძღვანელობისათვის შექმნილია მართვის სპეც. ორგანოები და ხდება საჭირო ძალებისა და საშუალებათა მომზადება. თანამედროვე პირობებში ს. თ. გულისხმობს მოსახლ. ევაკუაციას იმ ქ-ებიდან, რ-ებზედაც მოსალოდნელია მასობრივი მოსპობის იარაღით თავდასხმა. ევაკუაციისათვის წინასწარაა შერჩეული რ-ნები და აგებულია თავშესაფრები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლ. უზრუნველყოფას დაცვის ინდივიდ. საშუალებებით (აირწინაღები, რესპირატორები, სამედ. პრეპარატები), რაც შესაძლებელს ხდის შეამციროს რადიოაქტიური თუ სხვა სახის მოწამვლის საშიშროება. გათვალისწინებულია მაშველი და გადაუდებელი სავარიო აღდგენითი სამუშაოები დაზიანების კერებში, რადიოაქტიური ნალექებით მოფენილსა და წყლით დატბორილ ზონებში. ს. თ-ის მნიშვნელოვანი ამოცანაა აგრეთვე ომის დროს სახ. მეურნ. შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ტარდება საორგანიზაციო და საინჟინრო-ტექ. ღონისძიებები; იქმნება ნედლეულის, მოწყობილობისა და აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებათა მარაგი. ს. თ-ის ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია მოსახლ. წინასწარი მომზადება, მასობრივი მოსპობის იარაღისაგან თავდაცვის საშუალებათა საყოველთაო შესწავლა.

საამოქალაქო თავდაცვის დაცვითი ნაგებობანი, თავშესაფრები და საფრენი, რ-თა დანიშნულებაა ომის დროს დაიცვას მოსახლეობა, მართვის ორგანოები, კავშირგაბმ. კვანძები, სამედ. და სხვა დაწესებულებები მტრის მასობრივი მოსპობის იარაღის ზემოქმედებისაგან. მომწამვლელი ნივთიერებებით დაზიანებისაგან მოსახლ. დასაცავი თავშესაფრების მშენებლობა დაიწყო II მსოფლიო ომის წინ მტრის ავიაციის შესაძლო მოქმედების არეში მოქცეულ ქალაქებში. ს. თ. დ. ნ. განიყოფება თავშესაფრებად და რადიაციისაგან დასაცავ საფრებად. თავშესაფარი უზრუნველყოფს ადამიანის დაცვას ბირთვული აფეთქების, მომწამვლელ ნივთიერებათა, ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა, აგრეთვე ხანძრის მაღალი ტემპ-რის გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან. თავშესაფარს, ჩვეულებრივ, რკინაბეტონით აგებენ შენობის სარდაფში

(ან მის გარეთ) ერთ ან რამდენიმე სართულად. ამავე მიზნით იყენებენ ქალაქის მიწისქვეშა ნაგებობებსაც (მეტროპოლიტენი, გვირაბები, ქუჩის გადასასვლელები). რადიაციის საწინააღმდეგო საფარი ადამიანს იცავს რადიოაქტიური და სხივური რადიაციისაგან. ამ მიზნით იყენებენ სათანადოდ მოწყობილ სარდაფებს, მიწურებს, შახტებს, სამთო გვირაბებს, ანაწყობი ბეტონითა და რკინაბეტონით, ხითა და მიწით, ან სხვა სახელდახელო მასალით აგებულ საფრებს. რადიაციის საწინააღმდეგო საფარის დამცავუნარიანობა დამოკიდებულია წაყრილი გრუნტის სისქეზე; შემაკავებელ კონსტრუქციებზე, შესასვლელების ჰერმეტიზაციასა და სავენტილაციო დანადგარების სიმძლავრეზე.

ს. თ. დ. ნ-ის ტევადობა რამდენიმე ათეულიდან მრავალი ათასი კაცია. მათში ადამიანის ხანგრძლივი ყოფნისათვის აუცილებელი სანიტ.-ჰიგიენური პირობები უზრუნველყოფილია საფილტრ-სავენტილაციო, წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და განათების სისტემებით. ყოველ ნაგებობას აქვს აგრეთვე წყლისა და საკვების ავარიული მარაგი. მშვიდობიანობის დროს ს. თ. დ. ნ. გამოყენებულია გარაჟებად, საწყობებად, საზ. კვების დაწესებულებებისა და საყოფაცხოვრებო შენობებისათვის.

სამოქალაქო მოსახლეობა, იხ. *მშვიდობიანი მოსახლეობა.*

სამოქალაქო ომი აშშ-ში 1861—65 და სამხრეთის რეკონსტრუქცია, სამოქალაქო ომი აშშ-ში კაპიტალისტურ ჩრდილოეთსა და მონათმფლობელურ სამხრეთს შორის. XIX ს. 50-იანი წწ. შუა ხანებში აშშ-ში მომწიფდა რევ. სიტუაცია. ეროვნ. მასშტაბით ერთ-ერთ სოც. სისტემას უნდა გაემარჯვა. მწვავე კონფლიქტის წინამძღვრებად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ომი კანზასში (1854—56), ჯონ *ბრაუნის* აჯანყება (1859), აბოლიციონისტური მოძრაობა აშშ-ში. 1860 აშშ-ის პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი ა. *ლინკოლნი.* დემოკრ. პარტია (მონათმფლობელთა ინტერესებს გამოხატავდა) ლინკოლნის არჩევით კარგავდა ძალაუფლებას ეროვნ. მასშტაბით. პროტესტის ნიშნად მონათმფლობელებმა გამოაცხადეს სამხრ. მონათმფლობელური შტატების გასვლა შტატების კავშირიდან და სამოქალაქო ომისათვის მზადებას შეუდგნენ. 1861 თებ. მონგომერიში (ალაბამის შტ.) შეიქმნა მონათმფლობელური შტატების კონფედერაცია, რ-შიც გაერთიანდა 11 შტ. აშშ-ის 34 შტატიდან. 1861 აპრ-ში კონფედერაცია ავგანყდა, ხელთ იგდო სამხ. ფორტები და არსენალები. სამხ. ოპერაციები უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გაშლილი: ჩრდ-ით და დას-ით მდინარეები პოტომაკი, ოჰაიო, მისური საზღვრავდა, აღმ-ით — ატლანტის ოკეანე, ხოლო სამხრ-ით — მექსიკის ყურე. ჩრდ. შტატების მოსახლ. 22 მლნ-ს აღწევდა და განვითარებული მრეწველობა ჰქონდა. სამხრ. შტატებში 9 მლნ-მდე კაცი ცხოვრობდა, აქედან 4 მლნ. ზანგი — მონა. ხანგრძლივი ომის საწარმოებლად სამხრეთს არ გააჩნდა სათანადო ეკონ. ბაზა.

აშშ-ის რეგულარული არმია მხოლოდ 14—16 ათ. კაცს შეადგენდა. ოფიცერთა უმრავლესობა მონათმფლობელთა ოჯახებიდან იყო გამოსული და ომის დასაწყისშივე კონფედერაციის მხარეზე გადავიდა, მ. შ. ნიჭიერი გენერალი რ. ლი, რ-იც სამხრ. არმიის მხედართმთავრად დაინიშნა. ომის დასაწყისში პრეზიდენტმა ლინკოლნმა 75 ათ. მოხალისე გაიწვია ჯარში, შემდგომში სამხ. ვალდებულება შეშოიღეს. კონფედერაციის პრეზიდენტმა ჯ. დეივისმა ჯარში 100 ათ. კაცი გაიწვია. მთლიანად სამოქალაქო ომის დროს ჩრდილოეთის არმიის მხარეზე იბრძოდა 2,7 მლნ. კაცი, ხოლო სამხრეთისაზე — 1,1 მლნ. სამოქალაქო ომში ძირითადი იყო მონობის საკითხი. ავგანყებულებს უნდოდათ მონობის სოც. სისტემად შენარჩუნება. მისი გავრცელება მთელ აშშ-ში, შემდგომში კი სამხრ. ამერიკის ქვეყნებშიც. ლინკოლნის მთავრობის მთავარი ამოცანა იყო შტატების კავშირის აღდგენა და ახ. ტერიტორიებზე მონობის გავრცელების შეჩერება. ომის I ეტაპზე (1861—62) ჩრდ. შტატებმა ზედიზედ რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადეს. ავგანყებულთა წარმატება იმით აიხსნებოდა, რომ ომისთვის უკეთ იყვნენ მზად; მაგრამ ჩრდილოეთის მარცხის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბურჟუაზიას ეშინოდა ხალხის ფართო მასების ომში ჩაბმისა. ბურჟ. გავლენიანი წრეები ეძებდნენ კონფლიქტის გადაჭრის კომპრომისულ გზებს, რაც სრულიად უპერსპექტივო იყო, როგორც სამხ., ისე პოლიტ. თვალსაზრისით. კ. მარქსს მტკიცედ სწამდა, რომ ს. შ. აშშ-ში რევ. მეთოდებით წარიმართებოდა და მართლაც, 1862 კონგრესმა ომის რევ. მეთოდებით წარმართვის გადაწყვეტილება მიიღო. გამოიცა კანონი ავგანყებულთა ქონების კონფისკაციის შესახებ, შემოიღეს სიკვდილით დასჯა სახელმწიფოს ღალატისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კანონი ჰოუმსტედების შესახებ (მიიღეს 1862 წ. 20 მაისს) და ლინკოლნის პროკლამაცია ავგანყებული შტატების ზანგი მონების განთავისუფლების შესახებ (ძალაში შევიდა 1863 წ. 1 იან.). მონები თავისუფლდებოდნენ გამოსასყიდის გარეშე, მაგრამ უმიწოდ.

ომის II ეტაპი (1863—65) ჩრდ. არმიის (მთავარსარდალი გენ. გრანტი) ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდა. ომმა თანდათანობით გამოავლინა ჩრდილოეთის ეკონ. და სამხ. უპირატესობა. 1864 ლინკოლნი კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად. მაგრამ 1865 წ. 14 აპრ. პრეზიდენტი ლინკოლნი სასიკვდილოდ დაჭრა მონათმფლობელთა და ჩრდილოეთის რეაქციული წრეების აგენტმა მსახიობმა ჯ. უ. ბუთმა. ლინკოლნის დაღუპვა მძიმე დანაკლისი იყო მთელი პროგრ. ამერიკისათვის. სამოქალაქო ომმა დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას. სამხ. ხარჯები და ნგრევა მრავალი მილიარდი დოლარით აღირიცხებოდა, მაგრამ, ე. ი. ლენინის თქმით, ეს ომი... უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული, პროგრესული და რევოლუციური მნიშვნელობისა იყო. სამხრეთში მთელი ძალაუფლება გადაეცა ფედერალურ არმიას. 1 მლნ-მა ზანგმა საარჩევნო ხმის უფლება მიიღო. 1865 დეკ. კონგრესმა ოფიციალურად დაამტკიცა ზანგების განთავისუფლება, ხოლო 1866 ივნ. კონსტიტუციის მე-14 შესწორებამ ზანგებს ხმის უფლება მიანიჭა. 1867 ზაფხულში ზანგი ამომრჩევლების მონაწილეობით აირჩიეს კონსტიტუციური კონვენტები, რ-ებმაც სამხრ. შტატების ახ. ბურჟ.-დემოკრ. კონსტიტუციები მიიღეს. დაიწყო სამხრ. შტატების სოც.-ეკონ. სისტემის ახ. ბურჟ. საწყისებზე გარდაქმნა. რეკონსტრუქციის მთავარ მამოძრავებელ ძალას ზანგები წარმოადგენდნენ. ქვეყნის ისტორიაში პირველად 16 ზანგი აირჩიეს აშშ-ის კონგრესში. 1877 აპრ. ფედერალურმა მთავრობამ თავისი ჯარი გაიწვია სამხრ. შტატებიდან. კაპიტალ. განვითარების გზით სამხრ. შტატების გარდაქმნამ დაასრულა ქვეყნის საერთო ეროვნ. ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი. რეკონსტრუქციის დროს შეეცადნენ მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტას, რ-თა გადაჭრაც ვერ შეძლო სამოქალაქო ომმა. ამიტომ რეკონსტრუქციას სამოქალაქო ომის გაგრძელებად მიიჩნევენ, თუმცა რეკონსტრუქციის წლებში მიღწეული შედეგები ვერ შეედრება სამოქალაქო ომის მსვლელობის დროს მიღწეულ შედეგებს.

ლიტ.: Иванов Р Ф., Гражданская война в США (1861—1865), М., 1960.

სამოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია 1918—20 რუსეთში. უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია და სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთში ეს იყო საერთაშ. იმპერიალიზმის ჩარევა საბჭ. სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, უცხოელ იმპერიალისტთა მიერ რუს. შინაგანი კონტრრევ. ძალების დარაზმვა და ერთობლივი თავდასხმა საბჭ. ქვეყანაზე სოციალ. რესპ. დასამხობად და ბურჟ.-მემამულური წყობილების აღსადგენად.

1917 წ. 7 ნოემბ. (25 ოქტ.) რუს. მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟ.-მემამულური წყობილება და დაამყარა საბჭ. ხელისუფლება. პირველმა საბჭ. მთავრობამ — სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების II ყრილობის გადაწვეტილებით (1917 წ. 26 ოქტ.), დაუყოვნებლივ დაიწყო ღონისძიებათა განხორციელება, რ-ის მიზანი იყო დამარცხებული ექსპლუატატორული კლასების დათრგუნვა და გამარჯვებული მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილება, განთავისუფლებული რუს. სწრაფი წინსვლა.

1917 ოქტ. რევ. გამარჯვებას უდიდესი საერთაშ. მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ძირფესვიანი გარდატეხა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისა და ექსპლუატირებული მასების განმათ. მოძრაობაში, კაპიტალიზმის ისტორიაში ახ. ეპოქის — პროლეტ. რევოლუციების ეპოქის დასაწყისი. საბჭ. სახელმწიფოს სახით, რ-იც ახ. ტიპის პირველი სახელმწიფო იყო მსოფლიოში, იმპერიალ. და კოლონ. ქვეყნების მშრომელებმა შეიძინეს საიმედო დასაყრდენი. საბჭ. რუსეთი ამიერიდან მთელი მსოფლიოს მშრომელი მასებისათვის საერთო სოციალ. სამშობლოდ იქცა, საბჭ. რუსეთი იყო ის ქვეყანა, რ-იც გზას უჩვენებდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჩაგრულ მასებს იმპერიალ. ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ოქტ. რევ. გამარჯვებამ უდიდესი დარტყმა მიაყენა კაპიტალიზმს საერთაშ. მასშტაბით. ჯერ ერთი, კაპიტალ. სისტემას მოსწყდა რუსეთი, მეორეც — მსოფლიო გაიყო ორ სისტემად, ორ ბანაკად. სოციალიზმის ბანაკი საბჭ. რუსეთის სახით და რეაქციის ბანაკი (საერთაშ. იმპერიალიზმის გაერთ. ძალები, შინაური კონტრრევოლუცია); ამასთან დაიწყო კაპიტალ. სისტემის საერთო კრიზისი, კიდევ უფრო გაღრმავდა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რ-იც მუდამ ღრღნიდა კაპიტალ. სამყაროს.

მსხვილ კაპიტალ. სახელმწიფოებს, საფრ., ინგლ., აშშ-ის, გერმ., ბელგ. და სხვ. ქვეყნების კაპიტალისტებს ბურჟ.-მემამულურ რუსეთში თავისი ინტერესები, თავისი პოზიციები ჰქონდათ. მათი კაპიტალი დაბანდებული იყო რუს. მრეწვ. წამყვან დარგებში. რუსეთი მათთვის წარმოადგენდა ხელსაყრელ ბაზარს, ნედლეულის წყაროს, იაფი მუშახელის ქვეყანას, რ-იც კაპიტალ. მონოპოლიებს ზღაპრულ მოგებას აძლევდა. XX ს. დასაწყისიდან საერთაშ. მონოპ. კაპიტალზე რუს. დამოკიდებულება თანდათან გაიზარდა. ომის წლებში ანტანტისა და აშშ-ის ქვეყნებზე რუს. ეკონ. და პოლიტ. დამოკიდებულება კიდევ უფრო განმტკიცდა და მას ნახევრად კოლონ. სახელმწიფოდ გადაქცევა დაემუქრა; გერმ. იმპერიალისტები, რ-ებიც რუსეთს ებრძოდნენ I იმპერიალ. ომში, ვარაუდობდნენ ანტანტასთან გამარჯვების შემდეგ რუს. დაკაბალებას, მისთვის ტერიტორიების წართმევას. ცარიზმის დამხობისა და ქვეყნის სათავეში დროებითი ბურჟ. მთავრობის ჩადგომის შემდეგ საერთაშ. იმპერიალიზმი უფრო ინტენსიურად შეიჭრა რუსეთში. განსაკუთრებით გააქტიურდნენ აშშ-ის მონოპოლისტური წრეები, რ-თაც ბურჟ. დროებითი მთავრობის ამერ. კაპიტალზე დამოკიდებულება გამოიყენეს იმისათვის, რომ ჩარეულიყვ-

ნენ რუს. საშინაო საქმეებში, ხელთ ეგდოთ მრეწვ. და ტრანსპ. წამყვანი დარგები. რუს. ბურჟ. მთავრობა მთლიანად მოკავშირეებზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ოქტ. რევ. გამარჯვებამ ჩაშალა საერთაშ. იმპერიალიზმის მტაცებლური გეგმები რუს. დაკაბალებისა, იხსნა ქვეყანა გარდაუვალი ეკონ. და პოლიტ. კატასტროფისაგან.

1917 ოქტ. რევ. გამარჯვებამ და საბჭ. სახელმწიფოს შექმნამ ფეხზე დააყენა რუს. შეძლებული კლასები და კონტრრევ. პარტიები. კადეტები, მენშევიკები, ესერები და სხვადასხვა ჯგუფის ბურჟ. ნაციონალისტები ერთ მტრულ ბანაკად გაერთიანდნენ. თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია, რ-ის შინაგან დასაყრდენ ძალას მეფის ოფიცრობა, შეძლებული კაზაკობა და ვითარებაში ჯერ კიდევ გაურკვეველი ჯგარისკაცული მასის ნაწილი წარმოადგენდა, დაუკავშირდა საერთაშ. იმპერიალიზმს და გახდა მისი დასაყრდენი ძალა ბურჟ.-მემამულური რუს. აღდგენისათვის ბრძოლაში. მტრის ფარულ აგენტებად იქცნენ კომუნისტური პარტიის შენიღბული მტრები—ტროცკისტები, ზინოვიეველები და ბუხარინელები, რ-ებიც ცდილობდნენ შეერყიათ პროლეტ. სახელმწიფოს ძალა. მათ მხარს უჭერდნენ აშშ-ის, ინგლ., საფრ. და სხვა იმპერიალ. სახელმწიფოთა შემარჯვენე. სოციალისტები. იმპერიალ. სახელმწიფოებს არ შეეძლოთ წინასწარი პოლიტ. და სამხ. მომზადების გარეშე დაეწყო ინტერვენცია ჩვენს ქვეყანაში. იმპერიალ. ბანაკი ამ დროისათვის გათიშული იყო მტრულ დაჯგუფებებად. ანტანტის ბლოკის სახელმწიფოებს შორის გაჩაღებული იყო ფარული მტრობა და ქიშპი ომის ნადავლის გაყოფის თაობაზე. ემზადებოდნენ რა სამხ. ინტერვენციისათვის, ეს სახელმწიფოები პირველ ხანებში აქეზებდნენ რუს. კონტრრევ. ძალების მოქმედებას, ხელმძღვანელობდნენ მათ ორგანიზაციებს, დახმარებას უწევდნენ ფულით, იარაღით. ეს იყო შენიღბული ინტერვენცია, რ-იც გრძელდებოდა 1918 გაზაფხულამდე.

უცხოეთის სამხ. ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის I ეტაპი (1918 მაისი—1919 მარტი)

პირველი სამხ. ინტერვენცია საბჭ. სახელმწიფოს წინააღმდეგ 1918 თებ-ში მოახდინეს გერმ. იმპერიალისტებმა. მათ ხელთ იგდეს მთელი ბალტიისპირეთი, ბელორ. დიდი ნაწილი, უკრაინა, დონის ოლქი, ყირიმი, საქართველო. ყველგან, სადაც კი ფეხს შედგამდნენ ისინი, ამხობდნენ საბჭოების ხელისუფლებას და ქვეყნის სათავეში სვამდნენ ბურჟ. და მემამულეების ინტერესების დამცველ პარტიებს. მაგ., უკრ. მმართველად მათ დასვეს მეფის არმიის ყოფილი გენ., ჰეტმანი პ. სკოროპადსკი, დონზე — გენერალი პ. *კრასნოვი*. საქართველოში გერმანელები მხარში ამოუდგნენ მენშევიკებს და ეხმარებოდნენ საბჭ. ხელისუფლების კერების ჩახშობაში დუშეთში, ლეჩხუმსა და სამეგრელოში. გერმანელთა ინტერვენციის ვითარებაში საბჭ. ქვეყანა მომწყვდეული აღმოჩნდა ფრონტების რკალში, იგი მოსწყდა სურსათის, ნედლეულისა და სათბობის რ-ნებს.

ბურჟ.-მემამულური რეჟიმის აღდგენისათვის ბრძოლაში რუს. შინაგანი კონტრრევოლუცია ამ პერიოდში „დემოკრატიზმის“ ნიღბით, დამფუძნებელი კრების ალმით გამოდიოდა. წვრილბურჟ. პარტიების — მენშევიკების და ესერების მესვეურები იჩემებდნენ ლიდერობას ანტისაბჭ. ლაშქრობაში. სამარაში, ომსკში, ეკატერინბურგში კადეტებთან ერთად მენშევიკებმა და ესერებმა შექმნეს კონტრრევ. მთავრობები, რ-ებმაც კაპიტალისტებს დაუბრუნეს ფ-კა-ქ-ნები, მემამულეებს — მიწები. მენშევიკებისა და ესერების წაქეზებითა და მონაწილეობით საბჭ. რესპუბლიკაში მოეწყო კონტრრევ. შეთქმულება, კულაკური აჯანყება; 1918 ივლ. ცენტრ. რუს. 23 ქალაქში მოხდა ანტისაბჭ. აჯანყება.

საბჭ. ხელისუფლების გადასარჩენად კომუნისტური პარტია და სახ. კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით მიმართავდა მთელი ძალების მობილიზაციას. ძირითადი ამოცანა იყო საბჭ. წყობილების დამცველი რეგულარული არმიის შექმნა. სრულიად რუს. საბჭოების კრილობამ 1918 წ. 16 ივლ. მიიღო სპეც. რეზოლუცია „წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ“. დაუყოვნებლივ დაიწყო რევ. არმიის შექმნა მუშებისა და გლეხებისაგან. 1918 სექტ-თვის სახელმწიფოს უკვე ჰყავდა 40 დივიზიაზე მეტი, რ-იც 10 არმიად იყო გაერთიანებული. შეიქმნა რესპ. სამხ. რევ. საბჭო, რ-საც წითელი არმიის ხელმძღვ. ორგანოები დაუქვემდებარდა. 1918 წ. 30 ნოემბ. ჩამოყალიბდა მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ეს იყო უმაღლესი ორგანო ომის პერიოდში, რ-ის დადგენილებანი სავალდებულო იყო რესპ. ყველა უწყებისა და მოქალაქისათვის. კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი რესპუბლიკის დასაცავად!“

1918 ზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭ. ხელისუფლებას ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეექმნა აღმ-ში. 5 აპრ. ვლადივოსტოკში გადმოსხეს ჯერ იაპ., შემდეგ ინგლ. დივიზიები. პარტნიორებს არც საფრ., აშშ-ისა და იტალ. იმპერიალისტები ჩამორჩნენ. შორეულ აღმ-ში თავი მოიყარეს ინტერვენტთა მსხვილმა ძალებმა, რ-თა საერთო რაოდენობა 150 ათ. კაცს აღემატებოდა. კადეტების, მენშევიკების, ესერებისა და ანტანტის იმპერიალისტთა ხელშეწყობით შეკოწიწებული მთავრობა ადმ. კოლჩაკის მეთაურობით ფლობდა მთელ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს. კონტრრევოლუციას ზურგს უმაგრებდა ჩეხ-სლოვაკთა კორპუსი (იხ. *ჩეხ-სლოვაკთა კორპუსის ამბოხება 1918*), ოქტ. რევ. ბედი აღმ-ში წყდებოდა. კომუნისტური პარტიის ცკ-მა აღმოსავლეთის ფრონტზე კომუნისტების საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. შეიქმნა წითელი არმიის აღმოსავლეთის ფრონტი. პოლიტ. მომზადების ხელმძღვანელობისათვის ფრონტზე მიავლინეს გამოჩენილი ორგანიზატორები. 1918 სექტ-ში წითელი არმიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ ყაზანთან და დაიკავეს იგი. წითელი არმიის ნაწილებმა მ. *ტუხაჩევსკის* მეთაურობით სექტ-შივე თეთრგვარდიული ჯარებისაგან გაათავისუფლეს ქ. სიმბირსკი, ხოლო ოქტ. დასაწყისში — სამარა. აღმოსავლეთის ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლების პერიოდში მძიმე ვითარება შეიქმნა ცარიცინში, რ-საც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ცარიცინს ამ დროს უტევდნენ კრასნოვის, დენიკინის თეთრგვარდიული ჯარები, ასტრახანისა და ურალის კაზაკები. ქალაქი საფრთხის წინაშე იდგა. პარტიამ 1918 ივლ. შექმნა ჩრდ.-კავკ. სამხ. ოლქის სამხ. საბჭო, რ-ის თავრე იყო ი. ბ. სტალინი. მან ხელთ აიღო *ცარიცინის დაცვის* მეთაურობა. ცარიცინის დაცვის ორგანიზაცია ჰქმნიდა სამხრეთში მოქმედი საბჭ. შეიარაღებული ძალების კოორდინაციის აუცილებლობას. ამ მიზნით 1918 ოქტ-ში შეიქმნა სამხრეთის ფრონტი, რ-მაც 5 არმიის მოქმედება გააერთიანა.

უკრაინა, ბელორუსია და ბალტიისპირეთი ამ დროს გერმ. ინტერვენტებს ჰქონდათ ოკუპირებული. ამ მხარეების მოსახლეობა შეუპოვრად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. განმათ. ბრძოლებს ყველგან სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტია.

1918 ნოემბ. ბურჟ. რევოლუციამ გაიმარჯვა ჯერ გერმანიაში, შემდეგ — ავსტრია-უნგრეთში, და დაამხო მონარქიული რეჟიმი. ამ. ხელისუფლებამ ომში გერმანია დამარცხებულად ცნო და კაპიტულაცია გამოაცხადა. საბჭ. რესპუბლიკისათვის გერმ. კაპიტულაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მას საშუალება მიეცა გაეუქმებინა ბრესტის ზავის ყაჩაღური პირობები და ოკუპანტები გაეძევებინა ჩვენი ქვეყნიდან. ასეც მოხდა: 1918 წ. 13 ნოემბ. საბჭ. მთავრობამ გააუქმა ბრესტის საზავო ხელშეკრულება და ოკუპირებული მხარეების მშრომელებს მოუწოდა გაეროკათ გერმ.-ავსტრ. ჯარები. საბჭ. ჯარები ხარკოვისა და კიევის მიმართულებით გადავიდნენ შეტევაზე. მშრომელი მასები სიხარულით ხვდებოდნენ განმათავისუფლებლებს. უკრ. ბურჟუაზიამ ანტანტის მხარდაჭერით შექმნა კონტრრევ. მთავრობა, ე წ. დირექტორია. ბურჟ.-ნაციონალისტებმა ხელთ იგდეს კიევი. წარმატებით დაგვირგვინდა საბჭ. არმიის ნაწილების შეტევა ბელორ. და ბალტიისპირეთში. 1918 მიწურულს ამ ტერიტორიებიდან გერმ. ოკუპანტები მთლიანად განდევნეს. შეიქმნა ბელორ. საბჭ. რესპუბლიკა (თავ-რე ა. მიასნიკოვი). ასევე ჩამოყალიბდა ესტ., ლიტვ., ლატვ., რესპუბლიკები. რსფსრ-ის მთავრობამ აღიარა ბალტიისპირეთის საბჭ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. აღნიშნულმა რესპუბლიკებმა თვითონ გამოთქვეს თანხმობა რსფსრ-თან მჭიდრო ფედერ. კავშირის დამყარებაზე.

მართალია, გერმ. კაპიტულაციამ და I იმპერიალ. ომის დამთავრებამ საბჭ. სახელმწიფოს მისცა ბრესტის ზავის გაუქმების შესაძლებლობა და სათავე დაუდო გერმანელთა ოკუპაციისაგან ქვეყნის გათავისუფლებას, მაგრამ, მეორე მხრივ, გაართულა საბჭ. რესპუბლიკის მდგომარეობა. ომის დამთავრების შემდეგ ანტანტამ თავისი ჯარები მიმართა საბჭ. ქვეყნის წინააღმდეგ. დაიწყო სამხ. ინტერვენციის ახ. ეტაპი.

1918 ნოემბ.-დეკ. ანტანტამ თავისი სამხ. გემები შეიყვანა ნოვოროსიისკში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნიკოლაევში, ხერსონში და გადმოსხა დესანტი. სამხრ. რუსეთში ინტერვენტთა ძალებმა 130 ათასს მიაღწია. ამიერკავკასიაში ინგლ. ინტერვენტებმა შეცვალეს გერმ. ნაწილები. ინტერვენტების აქტიურობამ გაათამამა სამხრეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია. დენიკინისა და კრასნოვის ნაწილებმა შეტევითი ოპერაციებით დროებით, წარმატებას მიაღწიეს ვორონეჟის მიმართულებით, ცარიცინში, ჩრდ. კავკასიაში. 1918 წ. 18 ნოემბ. კოლჩაკმა ანტანტის პირდაპირი დახმარებით ომსკში მოახდინა გადატრიალება, გარეკა ესერულ-მენშევიკური მთავრობა და ხელთ იგდო მთელი ძალაუფლება (იხ. *კოლჩაკელობა*). საბჭ. ჯარები გმირულად იბრძოდნენ. პარტიამ მარტო სამხრ. ფრონტზე მობილიზაციით გაგზავნა 2,5 ათ. კომუნისტი. 1919 იანვარში საბჭ. ნაწილებმა დონის ოლქში კრასნოვის კაზაკურ შენაერთებს მნიშვნელოვანი მარცხი აგემეს. მტრის ზურგში, მთელს უკრაინაში, გაჩაღებული იყო მძლავრი პარტიზ. მოძრაობა.

1919 დასაწყისში საბჭ. ქვეყნის გარე და შინაურმა მტრებმა დაამთავრეს სოციალ. სახელმწიფოზე გაერთ. შეტევისათვის სამზადისი. ეს ლაშქრობა მარტის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. პირველი შეტევა კოლჩაკმა წამოიწყო. მას მხარი დაუჭირა დენიკინმა სამხრ-ში, იუდენიჩმა — ჩრდ. პეტროგრადიდან, მილერმა — ჩრდ-ში. ანტანტის მითითებით აქტ. საომარი ოპერაციები წამოიწყეს თეთრპოლონელებმა, თეთრფინელებმა და სხვ. ანტისაბჭ. ძალებმა.

წითელი არმიის გადამწყვეტი გამარჯვებანი ანტანტისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთ. ძალებზე (1919 მარტი—1920 მარტი)

ანტანტის საინტერვენციო ძალებისა და შინაგანი კონტრრევ. გაერთ. ლაშ-

ქრობა საბჭ. სახელმწიფოზე უდიდესი ძალის დარტყმა იყო, მაგრამ საბჭ. სახელმწიფომ მას გაუძლო და გამარჯვებული გამოვიდა. საბჭ. რესპუბლიკამ 1918—19 დასაწყისში ქვეყანაში უკვე გაატარა არაერთი ღონისძიება, რამაც ახალგაზრდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა. 18 —23 მარტს ჩატარდა პარტიის VIII ყრილობა, რ-მაც განსაზღვრა პარტიის გენ. ხაზი საშინაო პოლიტიკის დარგში. ყრილობამ დაამტკიცა პარტიის ახ. პროგრამა, რ-შიც ჩამოყალიბებული იყო საბჭ. რუსეთში სოციალიზმის აშენების კონკრ. ამოცანები. ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო წითელი არმიის განმტკიცების ამოცანებს. 1919 მარტისათვის საბჭ. არმია უკვე 1,5 მლნ-ზე მეტ მებრძოლს აერთიანებდა. გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები წითელ არმიაში დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის, დაძლეულ იქნა „სამხედრო ოპოზ.ცია“, რ-იც წინ ეღობებოდა საბჭ. არმიის მეთაურებად მეფის არმიიდან მოსული ოფიცრობის გამოყენებას.

პარტიამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიება გაატარა საბჭ. რესპ. შეიარაღებული ძალებისა და მატერ. რესურსების გაერთიანების საქმეში. 1919 იანვარში უკრ. საბჭ. მთავრობამ მიიღო დადგენილება საბჭ. რუსეთთან სოციალ. ფედერ. პრინციპებზე გაერთიანების თაობაზე. 1919 თებ-ში ასეთივე დეკლარაცია მიიღო ბელორ. საბჭოების I-მა ყრილობამ. 1919 წ. 4 მაისს რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა მიიღო დირექტივა ყველა საბჭ. რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის ერთიანი სარდლობის შექმნის შესახებ. ამ დადგენილებისთანავე მოხდა წითელი არმიის შემადგენლობაში რესპუბლიკათა საბრძოლო ძალების გაერთიანება. საბჭ. რესპუბლიკების ამ სამხ.-პოლიტ. კავშირმა დიდი როლი შეასრულა ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა განადგურებაში. შემოღებულ იქნა სასურსათო გაწერა, რ-იც გულისხმობდა ზედმეტი, გადანახული პურის მობილიზაციას ფრონტისა და ზურგისათვის. სასურსათო გაწერის პოლიტკამ მიიღო „*სამხედრო კომუნიზმის*“ სახელწოდება. ეს პოლიტიკა, რა თქმა უნდა, არ უპასუხებდა პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანებს, მაგრამ ამ პერიოდში იგი აუცილებელი დროებითი ღონისძიება იყო. მთელი მრეწვ. ნაციონალიზაცია, მ. შ. წვრილი წარმოებისა, საყოველთაო შრომითი ბეგარა და შრომითი მობილიზაცია, სასურსათო გაწერა, ქალაქსა და სოფელს შორის ვაჭრობის ნაცვლად პროდუქტების პირდაპირი გაცვლის დაწესება, ყველა ეს აუცილებელი ღონისძიება ქმნიდა სოციალ. სახელმწიფოს ძალებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მტკიცე გარანტიას.

1919 გაზაფხულზე სოციალ. სახელმწიფო უდიდესი განსაცდელის წინაშე დადგა. კომბინირებულ ღაშქრობათა შედეგად თეთრგვარდიელებმა და ინტერვენტებმა დიდ უპირატესობას მიაღწიეს. მარტ-აპრილში კოლჩაკის ჯარებმა ხელთ იგდეს მდ. კამის აუზი, ჭ-ები იჟევსკი, უფა და სხვ. მტერი დასავლეთის მიმართულებით ვოლგისკენ მიიწევდა. დენიკინის არმიებმა ამ პერიოდისათვის დაიკავეს მთელი ჩრდ. კავკასია, ყუბანი, დონის ოლქი; ეს არმიაც ვოლგისაკენ ისწრაფოდა, რათა შეერთებოდა კოლჩაკს. მათი შეხვედრა ნავარაუდევი იყო სარატოვში. გაზაფხულზეე ანტანტის წაქეზებითა და ხელშეწყობით თეთრპოლონელთა არმიები შეიჭრნენ ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში და ხელთ იგდეს ვილნო, ბრესტი, ბარანოვიჩი და სხვ. ლატვ. ბურჟუაზიამ იმპერიალისტების დახმარებით დაამხო საბჭ. ხელისუფლება. იუდენიჩი ამ დროისათვის პეტროგრადს უტევდა. მოსკოვსა და პეტროგრადში ესერები და მენშევიკები ეწეოდნენ ანტისაბჭოურ, კონტრრევ. საქმიანობას, აქეზებდნენ მტრულ ძალებს საბოტაჟისა და აჯანყებისაკენ. საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა მოწყდა პურისა და საწვავის რ-ნებს. პარტიის ცკ-მა და მთავრობამ დროულად ამოიცნეს ანტანტის ვერაგული გეგმა და მიუთითეს, რომ ქვეყნის ბედი იმ პერიოდში წყდებოდა აღმ-ში და საჭირო იყო მთელი ძალების დაძაბვა კოლჩაკის გასანადგურებლად. 1919 წ. 11 აპრ. რკპ (ბ) ცკ-ის თეზისებში ვ. ი. ლენინმა კონკრეტულად ჩამოაყალიბა აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობა და დასახა ღონისძიებანი კოლჩაკის გასანადგურებლად მთელი ძალების მობილიზაციით. პარტიამ დაუყონებლივ ჩაატარა კომუნისტების მობილიზაცია. 1919 წ. 1 ივნ-თვის აღმოსავლეთის ფრონტზე 800 ათ. ჯარისკაცი იყო. კოლჩაკზე მთავარი დარტყმა განახორციელეს აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის ჯგუფის ჯარებმა მ. ფრუნზეს მეთაურობით (სამხ. საბჭოს წევრები: ვ. *კუიბიშევი*, შ. *ელიავა*). აპრ. ბოლოს სამხრეთის ჯგუფი 4 არმიის შემადგენლობით გადავიდა კონტრშეტევაზე. ივნ.-ივლ. ფრუნზეს ჯარებმა კოლჩაკელებისაგან მთლიანად გაათავისუფლეს ურალი, მოსპეს მათი საუკეთესო დივიზიები, ხოლო ნარჩენები ციმბირში გადარეკეს. წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციების დროს მტრის ზურგში ენერგიულად იბრძოდნენ წითელი პარტიზანები. ურალისა და სხვა სამრეწვ. რ-ნების განთავისუფლება ბაში საბჭ. არმიას დიდ დახმარებას უწევდა ადგილ. მუშათა კლასი. მუშათა რაზმები ანგრევდნენ მტრის კომუნიკაციებს, სპობდნენ მის ცალკეულ რაზმებს.

კოლჩაკზე საბჭ. არმიის დარტყმის ძალა რომ შეესუსტებინათ, იმპერიალისტებმა ჩრდ-ით იუდენიჩის თეთრგვარდიული ჯარებით შეუტიეს პეტროგრადს. იუდენიჩმა ისარგებლა VII არმიის სარდლობის შეცდომებით და წარმატებას მიაღწია, რამაც საფრთხე შეუქმნა პეტროგრადს. პარტიის ცკ იძულებული გახდა აღმოსავლეთის ფრონტიდან მოეხსნა დივიზიების განსაზღვრული რაოდენობა. ჩატარდა დამატებითი მობილიზაცია პეტროგრ. სამხ. ოლქში. VII არმიის რიცხობრივი შემადგენლობა გაორკეცდა. თავდაცვის საბჭომ თავის საგანგებო რწმუნებულად პეტროგრადში გაგზავნა ი. სტალინი. საბჭ. არმიისა და ფლოტის ნაწილებმა 16 ივნ. აიღეს უმნიშვნელოვანესი ფორტი კრასნაია-გორკა. 21 ივნ-იდან VII არმია მთელი ფრონტით გადავიდა შეტევაზე და აგვ. მიწურულისათვის იუდენიჩის თეთრგვარდიული არმია გაანადგურა. წითელმა არმიამ ასევე მძიმე მარცხი მიაყენა ინგლ.-ამერ. თეთრგვარდიელთა ჯარებს, რ-ებიც პეტროზავოდსკის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ.

რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა, რ-იც სექტ-ში გაიმართა ვ. ი. ლენინის მითითებით სამხ. სამუშაოზე გადაიყვანა პარტ. და საბჭ. მუშაკების უმრავლესობა. ჩრდ-იდან და პეტროგრ. ფრონტიდან სამხრ-ში გადმოისროლეს რჩეული ნაწილები. „ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ!“ — ასეთი იყო პარტიის მთავარი ლოზუნგი. სამხრეთის ფრონტზე გაგზავნეს გამოცდილი მუშაკები და არმიათა მეთაურები ი. აპანასენკო, ს. ანუჩინი, ა. ბუბნოვი, კ. ვოროშილოვი, ვ. მეჟლაუკი, გ. ორჯონიკიძე და სხვ. ი. სტალინი დანიშნეს სამხრ. ფრონტის სამხ. რევ. საბჭოს წევრად.

1919 ოქტ-იდან სამხრეთის ფრონტმა გაანაღა შეტევა დენიკინის წინააღმდეგ ორიოლ-ვორონეჟის მიმართულებით. 20 ოქტ. მტრისაგან გაათავისუფლეს ორიოლი, 24 ოქტ. — ვორონეჟი. ნოემბ.-დეკ. საბჭ. ჯარებმა აიღეს ხარკოვი, კიევი, დონბასი, ცარიცინი. სამხრ.-დას. ფრონტის ჯარებმა 1920 წ. 7 თებ. დაიკავეს ოდესა.

1919 ოქტ. საბჭ. ჯარები შეტევაზე გადავიდნენ პეტროგრ. ფრონტზეც, სადაც იუდენიჩის ნაწილებს ხელახალი შეტევის შედეგად მოპოვებული ჰქონდათ დროებითი წარმატება. 3-დღიანი გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს პულკოვო, ცარსკოე-სელო, კოლპინო. იუდენიჩის არმიის ძირითადი ძალები განადგურდა.

დადგა კოლჩაკზე გადამწყვეტი შეტევის ეტაპიც, კოლჩაკის ზურგში შეიარაღებული მუშათა კლასი უღარიბეს გლეხობასთან ერთად შეუპოვრად იბრძოდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კრასნოიარსკი, ირკუტსკი, ომსკი და სხვ. აჯანყებულთა დასახმარებლად შეტევაზე გადავიდნენ წითელი არმიის აღმოსავლეთის ფრონტის ნაწილები. 1920 წ. 6 იანვ. კრასნოიარსკთან ბრძოლაში წითელი არმიის ტყვეობაში აღმოჩნდა კოლჩაკელთა მთავარი ძალები. ირკუტსკის რევკომის გადაწყვეტილებით 1920 წ. 7 თებ. კოლჩაკი დახვრიტეს. თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა გაერთ. ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა საბჭ. ქვეყანამ წარმატებით დაამთავრა, საერთაშ. იმპერიალიზმის სამხ. ინტერვენცია კრახით დამთავრდა.

ანტანტის მეორე ლაშქრობის განადგურება ახალგაზრდა საბჭ. სახელმწიფოს უდიდესი მიღწევა იყო. ამ გამარჯვებამ ქვეყანა კიდევ უფრო განამტკიცა, ხოლო საერთაშ. იმპერიალიზმის ბანაკი დაასუსტა. საბჭ. რესპ. მოსაზღვრე პატარა ბურჟ. სახელმწიფოები მშვიდობიანი მოლაპარაკების გზას დაადგნენ. დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება ესტ. ბურჟ. მთავრობასთან, შემდეგ ლიტვასთან, ლატვიასთან და ფინეთთან.

თეთრპოლონელებისა და ვრანგელის ჯარების განადგურება; სამოქალაქო ომი რუსეთის განაპირა მხარეებში, ამიერკავკასიასა და საქართველოში

საბჭ. მთავრობამ 1920 დასაწყისში სამგზის შესთავაზა პოლონეთს დაედო ზავი საბჭ. რესპუბლიკასთან. პოლონეთი უარზე იდგა. მის ზურგში მდგომი აშშ-ის, ინგლ. და საფრ. იმპერიალისტები ამზადებდნენ ახ. ლაშქრობას, სადაც ერთერთი მთავარი როლი პოლონეთს უნდა შეესრულებინა. იმპერიალისტებმა პოლონეთი დიდძალი იარაღით მოამარაგეს.

1920 აპრ. დასასრ. თეთრპოლონელთა ნაწილებმა გააჩაღეს სწრაფი შეტევა მარჯვ. ნაპირის უკრაინაში. ამ ფრონტზე პოლონელთა ნაწილები დიდად სჭარბობდა საბჭ. არმიის ნაწილებს, რაც ტროცკის დანაშაულებრივ მოქმედებათა შედეგი იყო. საბჭ. ნაწილები უკან იხევდნენ, მაგრამ ამასთან მტერს დიდ ზიანს აყენებდნენ. 14 მაისს პოლონელთა წინსვლა შეწყდა.

თეთრპოლონელთა ვერაგულმა თავდასხმამ საბჭ. სახელმწიფოს ახ. მძიმე საფრთხე შეუქმნა. მშვიდობიანი შესვენება დამთავრდა. პარტიამ კვლავ წამოაყენა ლოზუნგი: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ პარტიის მოწოდებით ფრონტზე წავიდა 12 ათ-ზე მეტი კომუნისტი. რკპ (ბ) პოლიტბიურომ ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით შეიმუშავა პოლ. არმიის განადგურების გეგმა; ივნ. დასაწყისში საბჭ. ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ერთი კვირის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ თეთრგვარდიელთა არმიებმა დატოვეს მინსკი, შემდეგ ვილნო. უკრ. და ბელორ. მოსახლეობა წითელ არმიას ეგებებოდა როგორც განმათავისუფლებელს, წითელი პარტიზანები პოლონელთა არმიას დიდ ზიანს აყენებდნენ. წითელი არმიის შეტევა ხელს უწყობდა რევ. აღმავლობას თვით პოლონეთში. პოლ. მუშათა კლასი მოუთმენლად ელოდა საბჭ. არმიას, როგორც მის მხსნელს ბურჟ. დიქტატურისაგან.

საბჭ. ჯარების სწრაფმა შეტევამ და პოლონელთა არმიის ზედიზედ დამარცხებამ იმპერიალ. წრეები შეარყია. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით აამოქმედეს „მეორე ხელი“ — სამხრ. თეთრგვარ-

დიული კონტრრევოლუცია ერანგელის მეთაურობით ერანგელის ჯარები ყირიმიდან ჩრდილოეთ ტავრიაში გაიჭრნენ, რათა ზურგიდან შეექმნათ საფრთხე დასავლეთის მიმართულებით მოქმედი წითელარმიელებისათვის, ამასთან პოლონეთმა დამატებით მიიღო იარაღი დიდი რაოდენობით. ანტანტა ბევრს ცდილობდა მესამე ლაშქრობით გადაეწყვიტა თავისი ძირითადი ამოცანა, მოესპო საბჭ. სახელმწიფო, მაგრამ მისი ყველა ღონისძიება განწირული ჩანდა. საბჭ. ქვეყნის დასაცავად საერთაშ. პროლეტარიატის სოლიდარობის ძალა თანდათანობით გაიზარდა. ლოზუნგით „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!“ ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში საბჭ. ქვეყნის დასაცავად გაჩაღდა მძლავრი კამპანია. პოლ. სარდლობამ მნიშვნელოვნად ჭარბი ძალები დაუპირისპირა საბჭ. არმიას და 19 აგვ-დან გადავიდა კონტრშეტევაზე. საბჭ. ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ეს უკან დახევა შეპირობებული იყო მრავალი მიზეზით. პირველ ყოვლისა კი იმით, რომ საბჭ. სარდლობამ გადაჭარბებით შეაფასა პოლ. ჯარების უკან დახევა და საკუთარი წარმატებანი.

საბჭ. არმიას საკმაო ძალები გააჩნდა პოლონელთა ჯარების დროებითი წარმატების შესაჩერებლად. მაგრამ ისწრაფვოდა რა ხალხისათვის მიეცა მშვიდობა, საბჭ. მთავრობამ განაცხადა პოლონეთთან ზავის დადებისათვის მზადყოფნა. პოლ. მთავრობას აშინებდა საბჭ. არმიის კონტრშეტევა და თანხმობა განაცხადა ზავზე. 1921 წ. 18 მარტს დადებული ზავით პოლონეთს დარჩა დას. უკრაინა და დას. ბელორუსია. პოლონეთთან ომის შედეგებს რომ ავგაზებდა, ვ. ი. ლენინი წერდა: „...ომიდან ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით. ჩვენ 1920 წელს პოლონეთის მემამულეებსა და ბურჟუაზიას ზავი შევთავაზეთ მათთვის უფრო ხელსაყრელი პირობების საფუძველზე, ვიდრე ის პირობებია, რომლებიც მათ ახლა აქვთ. აქ მათ გაკვეთილი მიიღეს, და მთელმა მსოფლიომაც მიიღო ისეთი გაკვეთილი, როგორსაც წინათ არავინ მოელოდა“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 32, გვ. 179).

პოლონეთთან ზავის შემდეგ საბჭ. რესპუბლიკას მიეცა საშუალება მიეხედა სამხრეთის ფრონტისათვის, სადაც ერანგელი შეტევისათვის ემზადებოდა. ერანგელის წინააღმდეგ საბრძოლველად პარტიამ კვლავ მოუწოდა კომუნისტებს. პირველსავე გაწვევაზე 8 ათ-ზე მეტი კომუნისტი, 2,5 ათ. კომკავშირელი, მოხალისედ გაეშურა სამხრეთის ფრონტზე. მას საბჭ. მთავრობამ მიაშველა ახ. ძალები. შეიქმნა სამხრეთის ფრონტი, რ-ის სარდლობა დაეკისრა მ. ფრუნზეს.

სამხრეთის ფრონტის სარდლობის გადაწყვეტილებით ერანგელზე მთავარი დარტყმა სივაშის ყელით უნდა მომხდარიყო; საბჭ. ნაწილები შეიჭრნენ ლიტვის ნ.-კ-ზე, დაიკავეს პერეკოპის სიმაგრეები. 12 ნოემბ. აიღეს ჩონგარის სიმაღლეები, 15 ნოემბ. — სევასტოპოლი. 1920 წ. 16 ნოემბ. ყირიმში წითელი დროშა აფრიალდა.

სამოქალაქო ომი და ინტერვენცია ძირითადად დამთავრდა, მაგრამ რუს. განაპირა რ-ნებში ადგილ. ბურჟ. ნაციონალისტების დახმარებით ევრ. და ამერ. იმპერიალ. წრეები კვლავ განაგრძობდნენ ინტერვენციას. კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის განადგურების შემდეგ მათი იმედი და დასაყრდენი რუს. განაპირა რ-ნების კონტრრევ. ძალები გახდა, რ-ებიც გააქტიურდნენ შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიაში სოციალ. რევ. გამარჯვება შემზადებული იყო მოვლენათა მსვლელობით, მაგრამ 1917—18 წლებში აქ კონტრრევოლუციამ ანტანტის დახმარება კარგად გამოიყენა მასების რევ. მისწრაფებათა ჩასახშობად. ამიერკავკ. მშრომელთაგან საბჭ. დროშა პირველად ბაქოს პროლეტარიატმა აღმართა. *ბაქოს კომუნა* საბჭ. ხელისუფლების მძლავრი ციტადელი იყო მთელს კავკასიაში, მაგრამ მუსავატელებმა, დაშნაკებმა, მენშევიკებმა ანტანტის იმპერიალისტების დახმარებით ბაქოს კომუნა გაანადგურეს და ვერაგულად დახვრიტეს 26 კომისარი (იხ. *ბაქოს კომისრები*).

გერმ., ხოლო შემდეგ იმპერიალ. ანტანტის საინტერვენციო ნაწილებმა შეუწყვეს ხელი მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებს ჩაეხშოთ საბჭ. კერები არა მარტო ბაქოსა და აზერბ. სხვა რ-ნებში, არამედ საქართველოსა და სომხეთში. ამიერკავკასიაში სოციალ. რევ. სწრაფ გამარჯვებას აფერხებდა საერთაშ. იმპერიალიზმი, რ-იც დიდ დახმარებას უწევდა ამიერკავკ. კომისარიატსა და სეიმს (იხ. სტატიები *ამიერკავკასიის კომისარიატი*, *ამიერკავკასიის სეიმი*). სეიმმა უარი თქვა ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე. მან ამიერკავკასია იძულებით, მშრომელი მასების სურვილის გარეშე მოგლიჯა საბჭ. რუსეთს, რითაც უფრო წააქეზა ოსმალეთი. სეპარატისტულმა პოლიტიკამ ამიერკავკასია ოსმ. ოკუპაციის საშიშროების წინაშე დააყენა. ამიერკავკასიაში დაიწყო ოსმ. და გერმ. ჯარების ინტერვენცია. შინაგანი წინააღმდეგობების ზრდის ვითარებაში მასების მზარდაჭერას მოკლებულმა სეიმმა 1918 წ. 26 მაისს არსებობა შეწყვიტა. მენშევიკურმა, დაშნაკურმა და მუსავატურმა პარტიებმა რევ. ამიერკავკასია გათიშეს მტრულ ერთეულებად. საქართველოში დამყარდა მენშევიკური პარტიის რეჟიმი (იხ. სტ. *მენშევიზმი* საქართველოში), აზერბაიჯანში — მუსავატური, სომხეთში — დაშნაკური. გერმ. ჯარების განდევნის შემდეგ ამიერკავკასიაში ინგლ. ოკუპანტები შემოვიდნენ.

1918—19 წლებში საქართველოში რევ. ხანძარი ენთო. საბჭ. ხელისუფლების კერები აღმოცენდნენ სოხუმში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, დუშეთში, სამხრ. ოსეთში და სხვ., მაგრამ მენშევიკური მთავრობა ინტერვენტების დახმარებით სისხლში ახშობდა ამ გამოსვლებს. მაშინ, როცა დენიკინის ძალები მოსკოვისაკენ მიიწევდნენ და საბჭ. ქვეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა, საქართვ. კომუნისტებმა მოამზადეს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ იგი მოღალატეებმა გასცეს. მიუხედავად ამისა, საქართვ. რიგ რ-ნებში აჯანყებები დაიწყო და ძლევამოსილად განვითარდა, დენიკინი იძულებული გახდა ზურგისათვის მიეხედა და აქ მსხვილი შეიარაღება გადმოისროლა.

1919 დასასრ. დენიკინის დამარცხების შემდეგ ინგლისელი ინტერვენტები იძულებული შეიქმნენ ამიერკავკასიიდან წასულიყვნენ, თუმცა შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ ბათუმი, ხოლო საქართველო იტალიელი იმპერიალისტებისათვის გადაეცათ. 1918—20 წლებში საქართველო სამხ. ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ფრონტს წარმოადგენდა, სადაც რევ. და კონტრრევ. ძალები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ. კონტრრევოლუციას ზურგს უმაგრებდა ხან გერმ., ხან ინგლ. ინტერვენტები და დენიკინი. რევ. ძალებს კი განასახიერებდა მუშათა კლასი და გლეხობა, რ-ის დაუცხრომელი ბრძოლა საბჭ. ხელისუფლებისათვის ორგანულად იყო შერწყმული რუს., უკრ., ბელორ., ბალტიისპირეთის, შუა აზიის მშრომელი მასების რევ. ბრძოლასთან საბჭ. ხელისუფლების გადასარჩენად.

უცხოური ინტერვენციისა და თეთრგვარდიული კონტრრევ. გაერთ. შემოტევის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა მაორგანიზებელმა და შთამაგონებელმა ძალამ, მუშათა კლასისა და გლეხობის სამხ-პოლიტ. კავშირმა, საბჭ. ხალხის ბრძოლის სამართლიანობამ, რ-იც მასობრივი გმირობის წყაროდ იქცა.

ამერ., ინგლ., საფრ., იაპ. იმპერიალისტებს საბჭ. ქვეყნის მშრომელებისათვის მოუქცნდათ მონობის უღელი. მათი მიზანი იყო რუს. დანაწევრება და ცალ-ცალკე დატაცება. თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციას სურდა მემამულური და კაპიტალ. ჩაგვრის რესტავრაცია. ჰიუხედავად იმისა, რომ მათ მეტი ძალები ჰყავდათ, უკეთესი შეიარაღება ჰქონდათ, მაინც დამარცხდნენ და დამარცხდნენ იმიტომ, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭ. მთავრობამ დარაზმა მთელი ხალხი სამართლიანი საქმისათვის, მათი თავისუფლების, დამოუკიდებლობის დასაცავად. ამ გამარჯვების შედეგად ჩვენმა ხალხმა დაიცვა და განამტკიცა მსოფლიოში პირველი საბჭ. სოციალ. სახელმწიფო, რომლის არსებობა შეესაბამება აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. სამოქალაქო ომში საბჭ. ხალხის ისტ. გამარჯვებამ დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვები „გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას—მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“ (იქვე., ტ. 29, გვ. 370).

ლიტ.: **Антонов-Овсеенко В. А.**, Записки о гражданской войне, т. 1—4, М., 1924—34; **Орджоникидзе Г. К.**, Статьи и речи, т. 1, М., 1956.

აკ. სურგულაძე.

სამოქალაქო სამართალი, სამართლის დარგი, რ-იც აწესრიგებს ქონებრივ და ზოგიერთ არაქონებრივ ურთიერთობებს. ამ დარგის სახელწოდება მომდინარეობს ჯერ კიდევ მონათმფლობელური რომიდან. ს. ს. ან ე. წ. კერძო სამართალი ექსპლუატატორულ სზ-ბაში აწესრიგებს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ქონებრივ ურთიერთობებს.

საბჭ. ს. ს. თანასწორობის საწყისებზე აწესრიგებს სოციალ. სზ-ბის ქონებრივ ურთიერთობას და ზოგიერთ ისეთ პირად არაქონებრივ ურთიერთობას, როგორიცაა სახელის უფლება, ავტორის არაქონებრივი უფლებანი, პატივისა და ღირსების სამოქალაქო-სამართ. დაცვა.

სამოქალაქო-სამართ. ბრუნვის მონაწილეები არიან ან ორივე მხრივ სოციალ. (სახელმწ., კოოპ. და სზ.) ორგანიზაციები, ან ერთი მხრივ ეს ორგანიზაციები და მეორე მხრივ — მოქალაქენი, ანდა ორივე მხრივ — მოქალაქენი. უცხო მოქალაქეებს, კანონით გათვალისწინებული ცალკეული გამონაკლისის გარდა, შეუძლიათ აგრეთვე შეიძინონ და განახორციელონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი.

ს. ს-ის ზოგადი ნორმები არეგულირებენ სამოქალაქო-სამართ. ურთიერთობის სუბიექტების, გარიგების, წარმომადგენლობის, სასარჩელო *ხანდაზმულობისა* და სხვ. საკითხებს.

ს. ს-ის ცენტრ. ინ-ტია საკუთრების სამართალი. მეურნ. სოციალ. სისტემა და წარმოების იარაღთა და საშუალებათა *სოციალისტური საკუთრება* ჩვენს სზ-ბაში ქონებრივ ურთიერთობათა საფუძველია. მოქალაქეთა *პირადი საკუთრება* სოციალ. ბუნებისაა, ვინაიდან იგი გამომდინარეობს სოციალ. საკუთრების ფორმებიდან.

ზოგადი დებულებანი ვალდებულების შესახებ მოიცავს იმ ნორმებს, რ-ებიც საერთოა მისი სხვადასხვა სახისათვის, რ-თაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ხელშეკრულებებისაგან (ყიდვა-გაყიდვა, მიწოდება, სესხი, შენახვა და სხვ.) წარმოშობილი, აგრეთვე ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი. ს. ს-ის ნორმები არეგულირებენ მემკვიდრეობასთან, ავტორობასთან, აღმოჩენასა და გამოგო-

ნებასთან დაკავშირებულ საზ. ურთიერთობებს

სამოქალაქო უფლებების დაცვა ხდება ამ უფლებების სასამართლო აღიარებით, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით, უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის (აგრეთვე პირგასამტეხლოს) გადახდევინებით, ვალდებულების ნატურით შესრულების მისჯით. სამართ. ურთიერთობის შეწყვეტით ან შეცვლით და სხვ.

საბჭ სამოქალაქო კონონმდებლობა, რ-იც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია ამ ურთიერთობის მონაწილეთა შემადგენლობა, გამომდინარეობს სოციალ. ქონებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციის ერთიანობის პრინციპიდან. ეს ერთიანობა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ამ რეგულირების დიფერენციაციას, ითვალისწინებს ს. ს-ის სხვადასხვა სუბიექტის მდგომარეობის თავისებურებებს. არსებობს ს. ს-ის ისეთი ნორმები, რ-ებიც მხოლოდ სოციალ. ორგანიზაციებზე ვრცელდება (მაგ., გაწოდების ხელშეკრულების რეგულირების ნორმები); ზოგიერთ მართლურთიერთობაში ერთ-ერთი მხარე უსათუოდ მოქალაქე უნდა იყოს (მაგ., საბინაო ქირავნობის ხელშეკრულებაში). გარდა ამისა, გარიგებების, სასარჩელო ხანდაზმულობისა და ზოგ სხვა ნორმაში გათვალისწინებულია მონაწილე სუბიექტების მდგომარეობის თავისებურებანი.

საბჭ. ს. ს-ის წყაროა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები (1961), რ-ის ბაზაზეც დამუშავებული და მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკათა *სამოქალაქო სამართლის კოდექსები*. საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდექსი მიღებულია 1964. სამოქალაქო კოდექსების გარდა არსებობს სხვა ნორმატიული აქტები, რ-ებიც აკონკრეტებენ და ავითარებენ საკავშ. საფუძვლების და სამოქალაქო კოდექსების ნორმებს (მაგ., დებულებანი საწარმოო-ტექ. მნიშვნელობის პროდუქციისა და სხვ. მოთხოვნილებათა საქონლის მიწოდების შესახებ), ან აწესრიგებენ ს. ს-ის ისეთ ურთიერთობას, რ-იც საფუძვლებსა და კოდექსებში არ არის შეტანილი.

ლიტ.: Алексеев С. С., Предмет советского социалистического гражданского права, Свердловск, 1959 (Ученые труды Свердловского юридического ин-та, т. 1, серия «Гражданское право»); Братусь С. Н., Предмет и система гражданского права, М., 1963. *ს. ჯორბენაძე.*

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მოქალაქეთა ან *იურიდიულ პირთა* პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის ან ზარალის მიყენებისათვის. უმთავრესად ეს არის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გადახდა, ზოგჯერ კი — სამართალდამრღვევისადმი არაქონებრივი ხასიათის სანქციის გამოყენება (მაგ., ცილისმწამებლური ცნობის უარყოფის მოთხოვნა). არსებობს ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობა (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დროს) და ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობა (იხ. *დელიქტური პასუხისმგებლობა*). თუ ვალდებულებაში რამდენიმე კრედიტორი ან მოვალეა, განასხვავებენ: წილადი პასუხისმგებლობის ფორმას, როცა ყოველი მოვალე პასუხს აგებს მისი წილის თანაბრად, და სოლიდარულს, რ-ის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულება სრული მოცულობით მოსთხოვოს როგორც ყველა მოვალეს ერთად, ისე თითოეულს ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში მოვალეს, რ-მაც ერთპიროვნულად შეასრულა მთლიანი ვალი, უკუმოთხოვნის უფლება ეწიჭება დანარჩენი მოვალეების მიმართ (იხ. *სარეგრესო სარჩელი*). არსებობს სუბსიდიური პასუხისმგებლობაც, რ-ის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია ძირითადი მოვალისაგან მიღებული ნაწილი გადაახდევინოს სხვა ვალდებულ პირს (მაგ., ზიანის მიყენების დროს — 15-იდან 18 წლამდე ასაკის პირთა მშობლებს, მზრუნველებს.). *ნ წერეთელი.*

სამოქალაქო სამართლის კოდექსი, საკანონმდებლო აქტი, რ-შიც სისტემატიზებულია სამოქალაქო სამართლის ძირითადი ნორმები. სსრკ-ში სამოქალაქო სამართ. კანონებს შორის უმაღლესი იურიდ. ძალა აქვს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართ. კანონმდებლობის საფუძვლებს (1961). ამ აქტის შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებულია ერთიანი ს. ს. კ-ები. მათში ასახული და განვითარებულია საფუძვლებში ჩამოყალიბებული დებულებები და პრინციპები. გარდა ამისა, რეგულირებულია ისეთი ურთიერთობები, რ-ებიც არ არის გათვალისწინებული საფუძვლებში (გაცვლილობა, ჩუქება, სესხი, გარდაცვალებამდე რჩენა და ა. შ.).

საქ. სსრ-ში ამჟამად მოქმედებს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წ. 26 დეკ. დამტკიცებული ს. ს. კ.; იგი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, მათთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს (საავტორო სამართალი, აღმოჩენის სამართალი, გამოგონების სამართალი) და, თუ ეს კანონით გათვალისწინებულია, სხვა პირად არაქონებრივ ურთიერთობებს (პატივისა და ღირსების დაცვა). საქ. სსრ ს. ს. კ. შეიცავს 578 მუხლს, რ-ებიც გაერთიანებულია 8 კარში: ზოგადი დებულებანი, საკუთრების სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, საავტორო სამართალი, აღმოჩენის სამართალი, გამომგონებლობის სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი და VIII კარი, რ-იც ეხება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებაუნარიანობას, უცხო სახელმწიფოთა სამოქალაქო კანონებისა და საერთაშ. ხელშეკრულებათა გამოყენებას. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათაგან განსხვავებით, საქ. სსრ ს. ს. კ-ში გაფართოებულია კანონიერ მემკვიდრეთა წრე და მასში შეტანილია სამკვიდროს დამტოვებლის ძმისწულები და დისწულები (მ. 544). არ არის გათვალისწინებული მოქალაქის ქმედუნარიანობის იმ მოტივით შეზღუდვა, რომ იგი ბოროტად იყენებს სპირტიან სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს. *თ. ცაგურია.*

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო აქტი, რ-შიც სისტემატიზებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების (1961) შესაბამისად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ შეიმუშავა და მიიღო თავისი ს. ს. ს. კ. საქ. სსრ ს. ს. ს. კ. რესპ. უმაღლესმა საბჭომ 1964 წ. 26 დეკ. დაამტკიცა.

საქ. სსრ ს. ს. ს. კ. ადგენს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს ისეთ დავაზე, რ-იც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საკოლმ. და ადმ.-სამართ. ურთიერთობებისაგან, აგრეთვე განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე. კოდექსით დადგენილი საქმეთა განხილვის წესი უფლების დაცვის ყველაზე უფრო ავტორიტეტული ფორმაა და მოწოდებულია უზრუნველყოს მხარეთა ნამდვილი უფლებების დაცვა, განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა.

ს. ს. ს. კ. შემდეგნაირადაა აგებული: კარი I — ზოგადი დებულებანი, II — საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, III — საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში (იხ. *კასაცია*), IV — კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა (იხ. *საზედამხედველო წარმოება*), V — სააღსრულებო წარმოება. VI — უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო საპროცესო უფლებები.

თ. ლილუაშვილი.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რ-იც არეგულირებს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ს. ს. ს-ის ნორმები ჩამოყალიბებულია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში, რ-ებიც შეიცავენ სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციურ პრინციპებს; სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებში სასამართლო წყობილების შესახებ (1958, 1980 რედ.), რ-იც განსაზღვრავს მართლმსაჯულების ამოცანებს, მართლმსაჯულების ორგანოების სისტემას; სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებში (1961), რ-იც ადგენს ს. ს. ს-ის ძირითად პრინციპებს და დებულებებს და ა. შ. მთავარი საკანონმდებლო აქტი, რ-ითაც ძირითადად ხელმძღვანელობენ საქ. სსრ სასამართლოები და რ-შიაც სისტემატიზებულია ს. ს. ს-ის ნორმები, არის საქ. სსრ *სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი*.

ს. ს. ს-ის ნორმები მოწოდებულია უზრუნველყოს სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანების წარმატებით გადაჭრა. ეს ამოცანებია: 1 სსრკ საზ. და სახელმწ. წყობილების, მეურნეობის სოციალ სისტემისა და სოციალ. საკუთრების დაცვის, მოქალაქეთა პოლიტ., შრომის, საბინაო და სხვა პირადი ქონებრივი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების, აგრეთვე საზელმწ. დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლ-ბათა და სხვ. კოოპ. და საზ. ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა, 2. სოციალ კანონიერების განმტკიცება, სამართალდარღვევის თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა საბჭ. კანონების განუხრელად შესრულებისა და სოციალ. საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

ს. ს. ს-ის ნორმები არეგულირებს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტის წესს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების სრული გათვალისწინებით, უზრუნველყოფს კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას, მოქალაქეთა საპროცესო უფლებების განუხრელად დაცვას, განამტკიცებს პრინციპებს, რ-ებიც გამოხატავს საბჭ პროცესის დემოკრატიზმსა და სოციალ. ბუნებას; ს. ს. ს-ის ნორმების განუხრელად დაცვა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების აუცილებელი პირობაა. *თ. ლილუაშვილი.*

სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრული მოთხოვნა. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარადგინონ სისხლის სამართ. საქმის აღძვრის, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის დროს, აგრეთვე სასამართლოში, მაგრამ სამსჯავრო (სასამართლო) გამოძიების დაწყებამდე. ასეთი სარჩელი შეიძლება აღძრას ყოველმა დაინტერესებულმა პირმა, რ-საც მიაჩნია, რომ დანაშაულის შედეგად მან განიცადა მატერ. ზარალი. როდესაც არსებობს იმის საკმაო საფუძველი, რომ დანაშაულით მიყენებულია მატერ. ზარალი, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის, ორგანოები, პროკურორი და სასამართლო

ნება რითაც პირველად გახდა შესაძლებელი ბამბის წარმოება ამჟამად საჭირო დიდი მასშტაბით. მრეწველობისა და მიწათმოქმედების წარმოების წესში მომხდარმა რევოლუციამ კი განსაკუთრებით აუცილებელი გახადა აგრეთვე რევოლუცია საზოგადოებრივი წარმოების პროცესის საყოველთაო პირობებში, ე. ი. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებებში“ (იქვე, გვ 486).

მუშა მანქანებს თავდაპირველად ხელით ან წყლის ძალით ამუშავებდნენ, რაც ზღუდავდა მათ გამოყენებას. ჯ. უატის მიერ 1784 გამოგონებული ე. წ ორმაგად მოქმედი ორთქლის მანქანის სახით გაჩნდა პირველი ძრავა, რ-იც ნახშირისა თუ წყლის ხარჯვით თვითონვე ქმნიდა თავის მამოძრავებელ ძალას და გადატრიალებას ახდენდა არა მხოლოდ მრეწველობაში, არამედ ტრანსპორტისა და წარმოების სხვა დარგებშიც.

მანქანურ ტექნიკაზე მეწარმეთა მოთხოვნა მის მიწოდებას უსწრებდა. წინააღმდეგობის გადასაჭრელად „მსხვილი მრეწველობა უნდა დაუფლებოდა თავის დამახასიათებელ წარმოების საშუალებას თვით მანქანას და მანქანებით მანქანები უნდა ეწარმოებინა“ (იქვე, გვ. 487). ასეც მოხდა, მანქანების მანუფ. წარმოების საფუძველზე XIX ს. 10—20-იან წლებში აღმოცენდა მრეწვ. ახ. დარგი — მანქანათმშენებლობა, რითაც „შექმნა მან პირველად თავისი ადეკვატური ტექნიკური საფუძველი, დადგა თავის საკუთარ ფეხზე“ (იქვე, გვ. 487). მანქანათმშ. განვითარებამ ფართო გასაქანი მისცა ერთმანეთის შემავსებელი მანქანების მრავალგვაროვანი სპეც. კომპლექსების ანუ მანქანათა სისტემების კოოპ. გამოყენებას. მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ დაქირავებული მუშა მანქანათა მთელი სისტემის დანამატად აქცია და დაასრულა შრომის კაპიტალისტური დისციპლინის შექმნა, მძლავრი სტიმული მიეცა *საწარმოო ძალების* განვითარებას

რუსეთში ს. მ-ის დასაწყისად ითვლება XIX ს. I ნახევარი. მანქანები აქაც პირველად საფეიქრო მრეწველობაში დაინერგა. შემდეგ მათი გამოყენება იწყეს შაქრისა და ქაღალდის წარმოებაში, ხოლო მრეწვ. დანარჩენ დარგებში ამ პროცესს ფართო გასაქანი მიეცა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ 1879 მექანიზებული წესით იყო წარმოებული ძაფსართავი მრეწვ მთელი პროდუქციის 96,3%. მაუდისა და შალის მთელი წარმოების 54,8%. ლითონდასამუშ. საწარმოთა მთელი პროდუქციის 86,3%, შაქრის მრეწვ. მთელი პროდუქციის 85,1%. 1882 პუდლინგის ღუმლებში გამოადნეს მთელი წარმოებული ლითონის 90% და სხვ. მიუხედავად ამისა, მრეწვ. ზოგიერთ დარგში (ავეჯის, ტყავისა და სხვ.) ჯერ ისევ ხელით შრომა ბატონობდა. ძალზე სუსტად იყო განვითარებული დაზგათმშენებლობა და მანქანათმშენებლობა

ს. მ. იწვევს ძირეულ ცვლილებებს არა მხოლოდ წარმოების ტექ. ბაზაში, არამედ საზ. ურთიერთობის ყველა სფეროში. მისი უმნიშვნელოვანესი სოც -ეკონ. და პოლიტ. შედეგი იყო კაპიტალ. ფორმაციის დამკვიდრება. მსხვილ მანქანურ წარმოებაზე გადასვლით კაპიტალიზმმა შექმნა მისთვის შესაბამისი მატერ.-ტექ. ბაზა და დაიმორჩილა წარმოების კაპიტალიზმამდელი ფორმები, დაჩქარდა შრომის საზ. დანაწილების კაპიტალ. განსაზოგადოების პროცესები. დაქირავებული მუშის მანქანის დანამატად გადაქცევის მეთოდებით კაპიტალმა შრომა რეალურად დაიმორჩილა და შექმნა პირობები მუშათა ექსპლუატაციის უსაზღვროდ გაძლიერებისათვის. ამასთან კაპიტალ. მანქანური წარმოების განვითარებამ გაამწვავა ანტაგონისტური წინააღმდეგობა ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, წარმოების საზ. ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალ. ფორმას შორის, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ჭარბწარმოების ეკონ. კრიზისები, მასობრივი უმუშევრობა და მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება.

მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლით საბოლოოდ იქნა ფორმირებული ორი ძირითადი საზ. კლასი — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. დაიწყო სამრეწვ. პროლეტარიატის რიგების სწრაფი ზრდა და მოსახლეობაში მისი ხვედრითი წილის გადიდება. პროლეტარიატი გადაიქცა კლასად თავისთვის და ბათლად გამოიკვეთა მისი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის ისტ. მისია.

დ. ცისკარიშვილი.

სამრეწველო გაერთიანება, სსრ კავშირში სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანო, საშუალო რგოლი მრეწველობის მართვის სამრგოლიან სისტემაში. წარმოადგენს ერთიან წარმოებრივ-სამეურნეო კომპლექსს, რ-იც შედგება სამრეწვ. საწარმოებისაგან, სამეცნ. კვლ. საკონსტრუქტორო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლ. და სხვა ორგანიზაციებისაგან. შეიძლება შედიოდეს აგრეთვე წარმოებრივი გაერთიანებები და კომბინატები. ს. მ. როგორც მართვის შუალედური რგოლი, ემყარება სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპებს, პასუხს აგებს წარმოებრივ-სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობასა და განვითარებაზე, სამეცნ. ტექ. პროგრესისა და წარმოების ტექ. დონეზე, გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე, სახ. მეურნ. და მოსახლ. მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, კაპიტალდაბანდებათა ეფექტურ გამოყენებაზე, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებასა და ათვისებაზე, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვაზე, აგრეთვე სახელმწიფო გეგმის დავალებებისა და ვალდებულებების შესრულებაზე.

ს. მ. არის საკავშირო და რესპ. დაქვემდებარების. ს. მ-ს ხელმძღვანელობს გაერთიანების სამმართველო, უფროსი მოქმედებს ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე. სამმართველოსთან იქმნება დირექტორთა (ან ტექ.-ეკონ.) საბჭო.

ს. მ-ის ხარჯები იფარება წარმოებრივ-სამ ფუნქციების ცენტრალიზებულად შესრულებების შედეგად მიღებული შემოსავლების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების ანარიცხებით ს მ-ს გამოყოფა წარმოების განვითარების, მატერ. წახალისების, სოც -კულტ. ღონისძიებების, საბინაო მშენებლობისა და სხვა ფონდები; საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ფინანს დახმარებისა და ამორტიზაციის ანარიცხების რეზერვები, საკავშ და რესპ. ს. მ-ის შესახებ დამტკიცებული საერთო დებულებით განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობანი ს. მ-ის შექმნისა და ფუნქციონირების გამოცდილება ცხადყოფს მართვის ამ რგოლის დიდ ეფექტიანობას.

ჯ. გარუჩავა.

სამრეწველო გრაფიკა, გამოყენებითი მხატვრული გრაფიკის სახე. ემსახურება სამრეწვ. პროდუქციის წარმოება-გასაღების (სავაჭრო იარლიყი, საფირმო ნიშანი, შეფუთვა, საგამომცემლო მარკა, სარეკლამო გამოცემა-კატალოგი, პროსპექტი და სხვ.) და წარმოების მართვის (ბლანკი, კონვერტი და სხვ.) სფეროს. ს. გ მჭიდრო კავშირშია სავაჭრო-სამრეწველო რეკლამასთან. თანამედროვე ს. გ-ის ენა რთული და სიმბოლურია. აქ ერთნაირად მნიშვნელოვანია შრიფტი, ორნამენტი, ფერი, ნახატი ან ფოტოგამოსახულება და ა. შ. ს. გ-ის ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა დამღა, იარლიყი და სავაჭრო მარკა, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ს. გ-ის, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებას (XIX ს. დასასრ.) ხელი შეუწყო ვაჭრობისა და მრეწვ. (სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის) განვითარებამ. ამ პერიოდში შეიქმნა პროფესიონალ მხატვართა კოლექტივები, რ-თა სპეციალობა რეკლამა და შესაფუთი მასალის გაფორმება იყო. ჩამოყალიბდა ერთიანი საფირმო სტილი (ა *ბერენსი*). XIX—XX სს. მიჯნაზე გარემოს ესთეტ. გაზრებისაკენ მისწრაფებამ დიდი როლი ითამაშა ს. გ-ის განვითარებაში XX ს. დასაწყისში ს გ-ის სტილზე „*მოდერნის*“ გავლენა იგრძნობოდა დროთა განმავლობაში, სპეციფიკის გამოკვეთასთან ერთად, ს. გ. განთავისუფლდა ზედმეტი ილუსტრირებისა და დეკორატივიზმისაგან. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა მხატვრულ კონსტრუირებას — დიზაინს. ს. გ-ის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს *ფუნქციონალიზმის* მიმდევრებმა (გ. ბაიერი, ი. ჩიხოლდი, პ. ზვარტი).

ოქტ. რევ. შემდეგ (1917) სსრკ-ში შეიქმნა ახ. საბჭ. სახელმწ. ემბლემატიკა, დაიწყო დაწესებულებისა და სამრეწვ. საწარმოო დოკუმენტების ახლებურად გაფორმება. ს. გ. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა 20—30-იან წლებში. ამ სფეროში მუშაობდნენ ლ ლისიცკი, ა. როდჩენკო, ვ. მაიაკოვსკი; 30-იან წლებში ე. ლანსერე და სხვ.; 40-იან წლებში — კუკრინიკსები. აღსანიშნავია დ. მოორის, ვ. კორეცკის, მ. ჩერემნიხის, ი. თოიძის და სხვ. შემოქმედება. ქართვ. დიზაინერთა საქმიანობას ხელმძღვანელობს ტექ. ესთეტიკის საკავშ. სამეცნ. კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალის (ტფისკი, დაარსდა 1962) სამრეწველო გრაფიკის განყ-ბა, რ-ის ძირითად ამოცანას შეადგენს საქართვ. სამრეწვ. პროდუქციის მხატვრული გაფორმება და რეკლამირება. ქართვ. მხატვრების მიერ შექმნილი პროდუქცია გამოირჩევა საკუთარი ხელწერით, ეროვნ. კოლორიტით, გრაფ. კულტურის მაღალი დონით. ს. გ-ის მრავალი ნიმუში ექსპონირებული იყო საერთაშ. სავაჭრო-სამრეწვ. გამოფენებზე (იზმირი, ალჟირი, მონრეალი, პარიზი და სხვ.), ქართ. დიზაინერთა მიერ შექმნილი საფირმო და სასაქონლო ნიშნების 20 ნიმუში შევიდა იტალიაში გამოცემულ მსოფლიო კატალოგში.

ლიტ.: სამრეწველო გრაფიკის პირველი გამოფენის კატალოგი, თბ., 1973; ხელაძე ი., რეკლამა და თანამედროვეობა, «საბჭოთა ხელოვნება», 1980, №8; Мурина Е., Прикладная графика, «Творчество», 1964, № 2.

სამრეწველო კაპიტალი, ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის ავანსირებული კაპიტალი. მოქმედებს მატერ. წარმოების სფეროში. ს. კ. მოძრაობაშია, განიცდის წრებრუნვას, ერთდროულად არსებობს სამი ფუნქციური ფორმით (იხ *კაპიტალის წრებრუნვა* და *ბრუნვა*) ს კ-ის და წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესმა წარმოშვა *მონოპოლიები*.

სამრეწველო მშენებლობა, კაპიტალური მშენებლობის დარგი, რ-იც ქმნის მრეწველობის ძირითად ფონდებს. მისი ამოცანაა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესრულება, ახ. საწარმოების ამოქმედება ან მოქმედ საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქცია. ს. მ. და მრეწველობა მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

საქ. სსრ მრეწველობაში 1921—81 სახელმწ. და კოოპ. საწარმოთა და ორგანიზაციათა (კოლ-ბების გარდა) კაპიტ. დაბანდებებმა შეადგინა 9100 მლნ. მან. (სახ. მეურნ. კაპიტ. დაბანდებების 34,5%). მრეწველობაში კაპიტ. დაბანდებების დაახლ. 60% მოდის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე. საბჭ. ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენებულია 1200-ზე მეტი მსხვილი სამრეწვ. საწარმო. მ. შ. რუსთავის მეტალ. და ქიმ., თბილ. ელმავალსაშენი, ელექტროშემდუღებელი და სოფ. მეურნ. მანქანათსაშენი, ქუთ. საავტომობილო და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, ფოთის ჰიდრომექანიზაციისა და ზუგდიდის ფაიფურის ქ-ნები, მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი და სხვ. X ხუთწლედში ამოქმედდა ენგურჰე-

სის 1300 ათ. კვტ. სიმძლავრის ხუთი მიწისქვეშა ჰიდროაგრეგატი.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების პერიოდში განხორციელებულმა ს. მ-მ შესაძლებელი გახადა 1979-ში მრეწვ. მთლიანი პროდუქცია 1921-თან შედარებით გაზრდილიყო 308-ჯერ, ხოლო 1913-თან შედარებით — 154-ჯერ. მრეწვ. განვითარების კვალობაზე სახელმწიფო კაპიტ. დაბანდებათა საერთო მოცულობაში თანდათანობით იზრდება დანახარჯები მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციაზე, ტექ. განახლებასა და გაფართოებაზე (დაახლ. 50%).

ს. მ-ში უფრო და უფრო ფართოდ ინერგება ისეთი საპროექტო გადაწყვეტა, რაც უზრუნველყოფს საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემას რიგებისა და ცალკეული გასაშვები კომპლექსების მიხედვით, ეს კი ამცირებს კაპიტ. დაბანდებათა გამოსყიდვის ვადებს.

სამრეწვ. დანიშნულების შენობების მოცულობით-დაგეგმარებითი გადაწყვეტის სრულყოფა ხდება ძირითადი და დამხმარე საამქროების ბლოკირების პრინციპით, რაც ქ-ნების მიერ დაკავშირებული ტერიტ. კომუნიკაციების სიგრძისა და მშენებლობის მოცულობის შემცირების საშუალებას იძლევა. ს. მ-ის ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს მოცულობით-დაგეგმარებით და კონსტრ. გადაწყვეტათა სრულყოფა ახ. მასალებისა და ასაწყობი კონსტრუქციების გამოყენების ბაზაზე. ს. მ-ის ინდუსტრიალიზაციის საფუძველია სამშენებლო პარამეტრების (გეომ. ზომების) და კონსტრ. ელემენტების უნიფიცირება და სტანდარტიზაცია, სამუშაოთა ძირითადი სახეების მექანიზაცია და კომპლ. მექანიზაცია.

სხვა სოციალ. ქვეყნებში ს. მ. ვითარდება სსრკ-ის ანალოგიურად ერთიანი სახელმწ. გეგმის საფუძველზე. თანამეგობრობის ფარგლებში წარმოებს ერთობლივი მეცნ. კვლევა, დაპროექტება და სამრეწვ. საწარმოების მშენებლობა, შიმდინარეობს მოწყობილობების, კონსტრუქციებისა და მასალების ურთიერთმიწოდება და ა. შ.

კაპიტალ. ქვეყნებში ს. მ. მშენებლობის ცალკე დარგად არ გამოიყოფა.

ე. გაფრინდაშვილი.

სამრეწველო ნაგებობანი, ნაგებობები, რ-ებიც ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს საწარმოო პროცესში ან ზიდავს ტექნოლოგიური მოწყობილობით, ხელდლეულით, კომუნიკაციებით და მისთ. გამოწვეულ დატვირთვას. თანამედროვე სამრეწვ. მშენებლობაში ს. ნ-თა წილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო ღირებულებაში შეადგენს 25%-ზე მეტს. ს. ნ-თა ტიპებისა და სახეობების ნომენკლატურა მოიცავს 100-ზე მეტ სახელწოდებას. მათ პირობით ყოფენ შემდეგ ძირითად ჯგუფებად: *კომუნიკაციური დანიშნულების ნაგებობები (გვირაბები,* არხები და მილსადენები ტექნოლ. კომუნიკაციების, ენერგომომარაგების ქსლების გასაყვანად, ნედლეულისა და მასალის გადასაადგილებლად; *ელექტროგადაცემის ხაზების*, განათებისა და კავშირგაბმ. საყრდენები; საკვამლე მილები და სხვ.); ტრანსპ. ნაგებობები (გზაგამტარები, გასატვირთავი და ამწის *ესტაკადები*, სატრანსპორტო და საკონვეიერო გალერეები); აირისებრი და თხევადი პროდუქტებისა და ფხვიერი მასალის შესანახი, წყალ- და აირმომარაგების, ვენტილაციისა და კანალიზაციის სისტემების ნაგებობები (*ბუნკერები, გაზჰოლდერები*, ნავთობსაცავები, *სასილოსე ნაგებობები, წყალსადაწნეო კოშკები* და *რეზერვუარები*, საშხეფი აუზები, შხეფსაცავრები, *სალექარები*, წყალასაღები და *საწმენდი ნაგებობები* და სხვ.); ნაგებობები ტექნოლ. მოწყობილობის (საძირკვლები დანადგარებისა და მანქანებისათვის, ტექნოლ. აპარატურის დასადგმელი პოსტამენტები, ჩასაშვები ჭები, თაროედები და სხვ.) დასაყრდნობად და განსალაგებლად.

სამრეწველო რევოლუცია, იხ. *სამრეწველო გადატრიალება.*

სამრეწველო სარეზერვო არმია, სამუშაო ძალის შეფარდებითი სიჭარბე კაპიტალიზმის დროს, რ-იც წარმოიქმნება *კაპიტალისტური დაგროვების* საყოველთაო კანონის მოქმედების შედეგად. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის წარმოქმნას ხელს უწყობს ტექნიკის სრულყოფა, შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერება, აგრეთვე კაპიტალ. საწარმოებში ქალებისა და ბავშვების შრომის ფართოდ გამოყენება. ს. ს. ა-ის სიდიდე მკვეთრად მერყეობს *კაპიტალისტური ციკლის* მსვლელობაში (იხ. *უმუშევრობა, ხალხთმოსახლეობის კანონი, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა*).

ჯ. კახნიაშვილი.

სამრეწველო საფარმო სოციალისტური, სახელმწიფო საწარმო, რ-იც სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობითა და თავისი კოლექტივის ძალებით ახორციელებს წარმოებრივ-სამეურნეო საქმიანობას (პროდუქციის დამზადება, სამუშაოთა შესრულება, სამსახურის გაწევა). სსრკ ან მოკავშირე რესპ. კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო იქმნება ზემდგომი ორგანოს ბრძანებით (გადაწყვეტილებით). ს. ს-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საფირმო ნიშანი (მარკა), ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში; იგი *იურიდიული პირია*; სსრკ მინისტრთა საბჭომ 1965 წ. 4 ოქტ. დაამტკიცა „დებულება სოციალისტური სახელმწიფო წარმოებრივი საწარმოს შესახებ". ამ დებულების საფუძველზე ს. ს-ს აქვს თავისი წესდება. იგი უნდა შეიცავდეს საწარმოს დასახელებას (ან ნომერს), აღნიშნავდეს მის ადგილმდებარეობას, მისი საქმიანობის საგანსა და მიზანს, საწესდებო ფონდს და სხვ. თუ საწარმოს შემადგენლობაში შედის რამდენიმე საწარმოო ერთეული, წესდებაში აღინიშნება და ჩამოითვლება ისინი. საწარმო ახორციელებს მის ოპერატიულ გამგებლობაში არსებული ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს. იგი ქონებრივად აგებს პასუხს თავის ვალდებულებებზე. პროდუქციის რეალიზებას საწარმო ახდენს გეგმისა და მის შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე. ს. ს-ს სათავეში უდგას დირექტორი, რ-იც მუშაობას *ერთმმართველობის* პრინციპის საფუძველზე წარმართავს. მასვე ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა საწარმოს მდგომარეობასა და საქმიანობაზე. ს. ს-ს მთავარი ამოცანაა მაღალი ხარისხის პროდუქციის (მომსახურების) წარმოება, რაც აუცილებელია სოციალ. საზ-ბის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (იხ. აგრეთვე *სამრეწველო გაერთიანება, საწარმოო გაერთიანება*).

წყარო: სამეურნეო კანონმდებლობის კრებული, თბ., 1974; Положение о социалистическом государственном производственном предприятии, М., 1965.

ლიტ.: Предприятие в системе народного хозяйства, М.,1972.

ნ. წერეთელი.

სამრეწველო-საწარმოო პერსონალი სსრ კავშირში, სამრეწველო საწარმოთა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების იმ მუშაკთა სიობრივი შემადგენლობა, რ-ებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში ან დასაქმებული არიან საწარმოს წარმოებრივი საქმიანობის მომსახურებით.

აღრიცხვისა და დაგეგმვის პრაქტიკაში შესასრულებელ ფუნქციათა ხასიათზე დამოკიდებულებით ს.-ს. პ. იყოფა შემდეგ კატეგორიებად: მუშები, ინჟ.-ტექ. მუშაკები, მოსამსახურეები, მოწაფეები, უმცროსი მომსახურე პერსონალი და საწარმოს დაცვის მუშაკები. ს.-ს. პ-ის რაოდენობა მრეწველობაში სისტემატურად იზრდება. მაგ., 1983 სსრკ მრეწველობაში მან შეადგინა 37,8 მლნ. კაცი (1940—13,1; 1960—22,6; 1970 — 31,6; 1975—34,1 მლნ. კაცი).

სამრეწველო ტელევიზია, ტექნიკური პროცესების კონტროლისათვის გამოსახულების გადამცემი და მიმღები სატელევიზიო მოწყობილობის კომპლექსი. სატელევიზიო მაუწყებლობისაგან განსხვავებით, ს. ტ. წარმოადგენს ჩაკეტილ სატელევიზიო სისტემას; მისი დანიშნულებაა შეზღუდული რაოდენობის მიმღებ მოწყობილობათა მომსახურება. XX ს. 70-იან წლებიდან ს. ტ-ს იყენებენ: კვლევისათვის (კოსმონავტებზე დასაკვირვებლად, პლანეტების ვიზუალური დაკვირვებისათვის და სხვ.); რადიოაქტიურ ნივთიერებებზე სხვადასხვა მანიპულაციების ჩასატარებლად (ადამიანისათვის უსაფრთხო მანძილზე); სამრეწვ. პროდუქციის საკონტროლოდ (საწარმოო პროცესის მსვლელობის დროს); წარმოების დისპეტჩერიზაციისათვის; სასწ. პროცესის, წყალქვეშა სამუშაოებისა და გამოკვლევების ჩასატარებლად. ს. ტ-ს იყენებენ აგრეთვე ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, სამხ. საქმეში და სხვ.


ლიტ.: Кондратьев А. Г., Лукин М. И., Техника промышленного телевидения, Л., 1970.

სამრეწველო ტრანსპორტი, სამრეწველო საწარმოთა წარმოებრივი ტრანსპორტი, რ-იც წარმოების სფეროში გადაადგილებს შრომის საგნებსა და პროდუქტებს. ერთი მხრივ, ს. ტ. წარმოების განუყოფელი ნაწილია, მეორე მხრივ, საერთო სარგებლობის ტრანსპ. უმნიშვნელოვანესი რგოლია.

ს. ტ. სხვადასხვაგვარია: კონვეიერული, განუწყვეტელი მოქმედებისა და დიდი მწარმოებლურობისა; მონორელსური (სამქროს ზედანაწილში არის მძლავრი ორტესებრი ლითონის კოჭი, რ-ზედაც მოძრაობს ელექტროამწე-ტალი); მიწისპირა მონორელსური ასაწყობ-დასაშლელი გზა, წარმოადგენს ფოლადის კოჭს, რ-ის ზედაპირი დაკბილულია. მასზე მოძრაობს შიდაწვისძრავიანი აგრეგატი 1—2 მისაბმელი ვაგონეტითურთ, იყენებენ პლანტაციებში ნაყოფის, ჩაის ციტრუსების, ხილისა და სასუქის გადასაზიდად საკმაოდ დახრილ (45°-მდე) ფერდობზე; საბაგირო მიწისზედა გზა (მთიან პირობებში რელსებზე მოძრავი ვაგონეტებითურთ), საჰაერო გზა (ბაგირზე დაკიდული ვაგონეტებითურთ, რ-საც ფართოდ იყენებენ სამთო საწარმოებში); ჰიდროტრანსპორტი (ნაკადის ენერგიით მოძრავი ტრანსპორტი); ავტომობილური ტრანსპორტი (ავტოთვითმცლელები, ავტოფურგონები, ავტოცისტერნები, ავტოსატვირთები და სხვ.); ტრანსპორტი ტექნოლ. პროცესის ინტენსიფიკაციისა და ავტომატიზაციის საშუალებით (ავტომატური ხაზები, ავტომატური ტრანსპორტირების სისტემები, ავტომატური ტრანსპორტირების მოდულური სისტემები, ავტომატური ტრანსპორტირების ინტეგრალური სისტემები).

ლიტ.: Промышленный транспорт, М., 1970.

სამრეწველო ფირმა, ინდივიდუალური ან ოჯახური საწარმო, რ-იც ეწევა ხელოსნურ წარმოებას. ს. ფ. ფართოდ გავრცელებულია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ს. ფ-ის ტიპიური ნიმუშია ხელოსნური სახელოსნო, რ-ის ძირითადი ფონდები მცირეა, ხოლო ძირითადი საწარმოო საშუალებები — ხელსაწყოები. ს. ფ-ის ფინანსური საფუძველია მეპატრონის ან ოჯახის წევრების დანაზოგი. ს. ფ-ის ეკონომიკური საფუძველია ხელით შრომა, ოჯახის წევრების ან ნათესავების მონაწილეობა წარმოებაში. ს. ფ-ის ეკონომიკური ბაზისი ვიწროა, ამიტომ ის ვერ ეწევა ფართო წარმოებას



სამრეწველო შენობები. სამრეწველო შენობების გავრცელებული ტიპები: 1—ერთსართულიანი შენობები; 2—პავილიონის ტიპის შენობა; 3—შენობა წარმოების სპეციფიკური სახეობისათვის (მარტენის საამქრო); 4—მთლიანი გაშენების მრავალმალიანი შენობა; 5—განივი ასაწყობი მალის მქონე მრავალმალიანი შენობა; 6—მრავალსართულიანი შენობა; 7—ტექნიკური სართულების მქონე შენობა; 8—წამწეთ-ზორისი სართულის მქონე ერთსართულიანი შენობა; 9—ცოკოლის სართულის მქონე ერთსართულიანი შენობა; 10—სახურავში მდებარე სარკმელების მქონე შენობა; 11—კიდული (ვანტური) სისტემის მქონე შენობა; 12—გადახურვის სიმრუდული კონსტრუქციების მქონე შენობა.

ებში და დიდ ნიშნულზე მადნისა და გრუნტის გადასაადგილებლად); ჰიდრავლ. მილსადენი ან წყლის ღარიანი ტრანსპორტი (იყენებენ ფხვიერი ტვირთისა და სოფ. მეურნ. პროდუქციის გადასაადგილებლად); პნევმოკაფსულური ანუ პნევმოკონტეინერული მილსადენი ტრანსპორტი (მსოფლიოში პირველად საბჭ. საქართველოში შემოიღეს 1971). ეს მოწყობილობა („ლილო-1") დაინერგა ინერტული მასალების (ქვიშის, ხრეშის, ღორღის) გადასაზიდად (2,2 *კმ*-ის მანძილზე). კარიერიდან შულავერის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნაში. მილის დიამეტრია 1020 *მმ*. შეკუმშული ჰაერის საშუალებით მილში მოძრაობს ორი პნევმომავალი, რ-ებსაც მიჰყავს 6 სატვირთო კაფსული (ტვირთის ზომა 15 *ტ*). დატვირთული შემადგენლობის სიჩქარე საათში 30 *კმ*-ია, ცარიელისა — 50 *კმ*. 1980 დეკ-ში ექსპლუატაციაში შევიდა გაუმჯობესებული კონსტრუქციის პნევმომატარებელი „ლილო-2", რ-იც 17,5 *კმ* სიგრძის ხაზზე 8 სატვირთო კონტეინერის საშუალებით 40 *კმ/სთ* სიჩქარით ეზიდება 40 *ტ* ინერტულ მასალას შულავერიდან მარნეულამდე. მილსადენის ხაზი ორმაგია. ერთი გათვალისწინებულია დატვირთული შემადგენლობისათვის, მეორე — ცარიელისათვის. ლითონის მილების დიამეტრია 1220 *მმ*, ტრანსპ. წლ. წარმადობა 225 ათ. *ტ*-ს უდრის. მეორე რიგის სამუშაოების შესრულების შემდეგ პნევმოკონტეინერული მილსადენის სიგრძე გახდება 40 *კმ* (რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქ-ნამდე; სადგ. ლილო). დღე-ღამეში 20 საათით მუშაობისას მილსადენის წარმადობა წელიწადში 2 მლნ. *ტ* იქნება. ასეთი უწყვეტი ტრანსპორტი მეტად ეფექტურია საკმაოდ დიდ მანძილზე სხვადასხვა ფხვიერი ტვირთის გადასაზიდად.

არასამრეწვ. ტვირთის გადასაზიდად ფართოდ იყენებენ ჩვეულებრივ და სპეც. საავტ. ტრანსპორტს (ბორტიანი და თვითმცლელი ავტომანქანები, ცისტერნები, რეფრიჟერატორები, ცემენტისა და ფქვილის მზიდავები და სხვ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეფექტურია სამრეწვ. მისასვლელი რკინიგზები. 1981 სსრკ-ში მათი სიგრძე იყო 144 ათ. *კმ*, საქართველოში 1073,6 *კმ*.

გრ. ბუაჩიძე.

სამრეწველო შენობები, სამრეწველო წარმოებისათვის განკუთვნილი შენობები, რ-ებიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისა და შრომისათვის საჭირო პირობებს. ს. შ-ს განასხვავებენ წარმოების დარგისა (მეტალურგია, სამთო, მსუბუქი მრეწვ. და ა. შ.) და სახეობის, ხოლო ცალკეული საწარმოებისთვის დანიშნულების (საწარმოო, ენერგეტ., სატრანსპ.-სასაწყობო და დამხმარე) მიხედვით. საწარმოო შენობებია ძირითადი (საბოლოო პროდუქციის გამოშვება) და დამხმარე (სარემონტო-მექან., საინსტრუმენტო, სამოდელო და სხვ.) წარმოებისათვის გათვალისწინებული შენობები, ენერგეტიკული—თბოელექტროსადგური, საქვაბე, საკომპრესორო და სხვ., სატრანსპ.-სასაწყობო (გარაჟები, სხვადასხვა დანიშნულებისა და ტიპის საწყობები და მისთ.); დამხმარე შენობები—ადმ., საყოფაცხოვრებო, სამედ. და სხვ. (შეიძლება იყოს ან საწარმოო შენობის ნაწილი ან მასზედ მიშენებული).

ს. შ-ის მოცულობით-დაგეგმარებითი და სამშენებლო-კონსტრ. გადაწყვეტა დამოკიდებულია მათ დანიშნულებაზე, ტექნოლ. დანადგარების სახეობასა და პარამეტრებზე, საწარმოო პირობებზე. კაპიტალურობის (ცეცხლმედეგობა, ხანგამძლეობა), საექსპლუატაციო და არქიტ. მახასიათებლების მიხედვით ს. შ-ს ყოფენ 4 კლასად.

ს. შ. შეიძლება იყოს ერთ-, მრავალ- და ნაირსართულიანი. ერთსართულიანი შენობები ს. შ-ის ძირითადი სახეობაა. მათ დიდი უპირატესობა აქვთ საწარმოო პროცესების ორგანიზაციის, ტექნოლ. მოწყობილობის განლაგების, სატრანსპ. პირობების, მოდერნიზაციის შესაძლებლობისა და სხვათა გამო. აქვთ ნაკლიც: მოითხოვენ გაშენების დიდ ფართობს, აქვთ გადიდებული შემომზღუდი ზედაპირები (კედლები, სახურავი), რის გამო იზრდება მათი თბოდანაკარგები, რთულდება სახურავიდან ატმ. ნალექების აცილება და ბუნებრივი განათების მოწყობა. მათი მოცულობით-დაგეგმარებითი ელემენტია უჯრედი — სივრცე მეზობელ 4 მზიდ სვეტს შორის. უჯრედის პარამეტრებია: მალი—მანძილი სვეტებს შორის განივი მიმართულებით, ბიჯი—მანძილი სვეტებს შორის გრძივი მიმართულებით და კონსტრ. სიმაღლე. უჯრედების ერთობლიობა ქმნის შენობის მალებს (გრძივი და განივი მიმართულებით). ს. შ-ს განასხვავებენ მალის სიდიდით — მცირე = (9—12 *მ*), საშ. = (18—30 *მ*) და დიდმალიანს (36 *მ*-ზე მეტი); მალების რაოდენობით — ერთ-, ორ- ან მრავალმალიანს; გაშენების ტიპით — მთლიანს (ბლოკირებულს) ან განცალკევებულს (პავილიონურს). მთლიანი გაშენების შენობაში გაერთიანებულია (ბლოკირებულია) ერთგვაროვანი ან სხვადასხვა ტექნოლ. დანიშნულების საამქროები, ზოგჯერ სხვადასხვა სახის საწარმოც. ბლოკირება ეკონომიურად მიზანშეწონილია (გაშენების ფართობის, კედლების პერიმეტრისა და კომუნიკაციების სიგრძის შემცირება, მომსახურების საერთო კვანძები). განცალკევებული გაშენების შემთხვევაში საამქროები განლაგებულია ცალ-ცალკე. ეს მიზანშეწონილია მაშინ, როცა ბლოკირება შეუძლებელია ტექნოლ. ან სანიტ.-ჰიგიენური შეუთავსებლობის გამო ან ხელსაყრელია ცალკე აგებული საამქროების ექსპლუატაციაში თანდათანობით გადაცემის მოხერხებულობის გამო. დიდმალიანი პავილიონის ტიპის შენობებში ტექნოლ. მოწყობილობა შეიძლება განლაგდეს თაროებზე. დიდი ზომის ერთსართულიან ს. შ-ს კონსტრ. (ტემპ-რული, სადეფორმაციო და მისთ.) ნაკერებით ყოფენ სექციებად. ერთსართულიანი ს. შ-ის მზიდი ნაწილი რკინაბეტონის, ლითონის ან შერეული ტიპის კარკასია, რ-ის ელემენტებია: სვეტები, გადახურვის მზიდი (*წამწე, კოჭი*) და გრძივი ან განივი შემკვრელი ნაწილები (ამწესქვეშა კოჭები, სხვადასხვა სახის კავშირები და ა. შ.). სვეტი ეყრდნობა საძირკველს (უმეტესად განცალკევებულს ანუ წერტილოვანს). ს. შ-ის გადახურვა შეიძლება იყოს ბრტყელი (წამწიანი, ჩარჩოიანი, თაღიანი), სივრცული (*გარსი, ნაკეცოვანი კონსტრუქცია*, კიდული და სხვ.), პნევმ. და სხვა სახისა. სახურავქვეშა სივრცეს იყენებენ მილგაყვანილობის, ტექ. სართულის, კიდული ჭერის მოსაწყობად და ა. შ. ერთსართულიანი ს. შ-ის მოცულობით-დაგეგმარებითი და კონსტრ. გადაწყვეტა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტექნოლ. დანიშნულების ამწევ-სატრანსპ. მოწყობილობის სახეობაზე (ხიდური ამწე, კიდული ამწე და სხვ.) და მათ პარამეტრებზე (ტვირთამწეობა, გაბარიტული ზომები). ამიტომ განასხვავებენ ამწიან და უამწეო ს. შ-ს. ასევე მნიშვნელოვანია შიგა განათების გადაწყვეტაც, რ-იც შეიძლება იყოს ბუნებრივი, ხელოვნური და შეთავსებული (ინტეგრალური). ძირითადია ბუნებრივი განათება: გვერდითი (კედელში მოთავსებული ფანჯრებიდან), ზედა (გადახურვაში მოწყობილი მაშუქებიდან) და კომბინირებული. მაშუქისა და ფანჯრის ღიობებს იყენებენ აერაციისათვისაც. ზედა მაშუქის მოწყობა ართულებს გადახურვის კონსტრუქციას და მის ექსპლუატაციას. უმაშუქო შენობები კონსტრუქციულად უფრო მარტივია, მაგრამ მხოლოდ ხელოვნური განათების გამოყენება არაა სასურველი.

მრავალსართულიანს. შ-ს იყენებენ შედარებით მსუბუქი ტექნოლ. მოწყობილობის მქონე წარმოებისათვის (ხელსაწყოთმშენებლობა, მსუბუქი მრეწვ. და სხვ.), ვერტ. სქემით ორგანიზებული ტექნოლ. პროცესების, შეზღუდული სამშენებლო მოედნების ან ციც კლიმ. ზონაში მშენებლობის შემთხვევაში (ამ სახის ს. შ-ის გაშენებისა და შემომზღუდი ზედაპირების ფართობები მნიშვნელოვნად ნაკლებია ერთსართულიან ს. შ-თან შედარებით). მრავალსართულიანი ს. შ-ის მზიდი ნაწილი რკინაბეტონის, ლითონის ან შერეული სქემის კარკასია, რ-ის ელემენტებია: სვეტი, *რიგელი*, გადახურვის ფილა-პანელი, კავშირ-დიაფრაგმა. სვეტები და რიგელები ქმნიან კარკ.სის ჩარჩოს. კარკასი შეიძლება იყოს სრული (შენობის გარე კედლები თვითმზიდია ან კიდული) და არასრული (კედლები ჰზიდია). მრავალსართულიანი ს. შ-ის მახასიათებლებია: მალების რაოდენობა, უჯრედის ზომები (მალი — 9—12 *მ*; ბიჯი — 6 *მ*), სართულიანობა და სართულების სიმაღლე. ზედა სართულს შეიძლება არ ჰქონდეს შუალედური საყრდენები (ერთმალიანი გადახურვა) და მის შედგენილობაში შედიოდეს ხიდური ან კიდული ამწე. ასეთ შენობას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ტექ. სართული, რ-იც ითავსებს სართულშუა გადახურვის მზიდი კონსტრუქციის (წამწის) გაბარიტებში (მალი 18—24 *მ*).

ს. შ-ს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ხელოვნური გათბობა (ე. წ. „ცხელი" ან „ცივი" საამქროები), აგრეთვე ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია და ჰაერის კონდიცირება (იგი აუცილებელია ე. წ. ჰერმეტიზებული ს. შ-თვის).

ნაირსართულიანი ს. შ. შედგება ერთ- და მრავალსართულიანი ნაწილებისაგან.

სპეც. სახის ს. შ-ია: შენობები აფეთქებასაფრთხიანი ან მაღალი რადიაციის მქონე წარმოებისათვის, ტექნოლ. დანადგარებთან შეთავსებული, ე. წ. შენობა-აგრეგატები (მაგ. *ბრძმედები*), ფარდულები ღიად განლაგებული ტექნოლ. დანადგარ-მოწყობილობისათვის და ა. შ.


ს. შ-ის სამშენებლო-კონსტრ. გადაწყვეტა უნდა აკმაყოფილებდეს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მოთხოვნებს, რისთვისაც მასობრივ მშენებლობაში მაქსიმალურად იყენებენ ტიპიზებულ და უნიფიცირებულ, გამსხვილებულ ასაწყობ რკინაბეტონისა და ლითონის, სინთეზური მასალის შემსუბუქებულ კონსტრ. ელემენტებს, კონსტრ.-ტექნოლ. ბლოკებსა (ბრტყელი, სივრცული) და მოცულობით-დაგეგმარებით კვანძებს. მძიმე ტიპის ერთსართულიან ს. შ-ში დიდი მოცულობით გამოიყენება მონოლითური რკინაბეტონი (უმთავრესად მიწისქვეშა კონსტრუქციებში, საძირკვლებში და სხვ.).

ს. შ-ის მშენებლობისათვის დამახასიათებელია ტექნოლ. დანადგარებისა და მოწყობილობის, აგრეთვე მრავალი სახის კომუნიკაციების მოსაწყობ სამუშაოთა დიდი მოცულობა. სამეცნ.-ტექ. პროგრესის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ს. შ-ის მშენებლობის ხარისხის ამაღლებას, სამშენებლო გადაწყვეტის შემდგომ გაუმჯობესებას, შენობის „მოქნილობის" სრულყოფას, მის მიმარჯვებას ტექნოლ. პროცესების ცვლილებისათვის რეკონსტრუქციის გარეშე (ე. წ. „მოქნილი", „უნივერსალური" ს. შ.).

ლიტ.: ბერიშვილი ა., სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურა, თბ., 1978; **Архитектура гражданских и промышленных зданий**, т. 5 — **Промышленные здания**, под ред. В. М. Предтеченского, М., 1977.

გ. ნინუა.


ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 32—33.



სტ. სათაფლიის მღვიმე. 1. მღვიმის ერთ-ერთი კუთხე. 2. სტალაგმიტები. 3. „გუმბათოვანი" ნაღვენთი და „ფარდები".


















სტ. *სათუველირო ხელოვნება*. **1.** ლუჩიო პიჩინინო და უცნობი ოსტატი. არქიეპისკოპოს ფერდინანდ ტიროლელის დაშნის ვადა. დაახლ. 1570. სამხატვრო-ისტორიული მუზეუმი. ვენა. **2.** საყურე. ოქრო. ძვ. წ. IV ს. **3.** საკიდი (*ჰერაკლეს კვანძი*) ჯინოსიდან. ძვ. წ. IV ს. **4.** წყვილი სამაჯური. ოქრო. ალმანდინი. II ს. არმაზისხევი. (მცხეთის რაიონი). **5.** კულონი. ოქრო. ამეთვისტო. მარგალიტი (გემაზე გამოსახულია არიადნე). II — IV სს. სოფ. წილკანი (მცხეთის რაიონი). **6.** აგრაფი. ოქრო. აქატი. გრანატი. მინა. IV ს. სოფ. ურეკი (ლანჩხუთის რაიონი). **7.** კულონი. ოქრო. ალმასი. ლალი. საფირონი. ზურმუხტი. მინანქარი. XVIII—XIX სს. (2,3—ერთვნული მუზეუმი. ტარანტო. 4,5,6,7—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი).












სტ. სამთავისი. საეპისკოპოსო ტაძარი. 1030. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი.





სტ. სამთავრო, სამთავროს ტაძარი. XI ს. I ნახევარი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი.



















სტ. *სამრეწველო ნაგებობები*. **1.** ხალიჩების კომბინატი. ბრესტი (ბელორ. სსრ). მთავარი კორპუსი. 1960-იანი წლები. არქიტექტორები ი. ბოეტი, ლ. მიცკევიჩი და შპიგელმანი. **2.** მანქანათსაშენი ქარხანა. ბირი (შვეიცარია). მთავარი საწარმოო კორპუსი. 1950-იანი წლები. არქიტექტორი რ. რონი. **3.** ი. სვერდლოვის სახ. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. მოსკოვი. საწარმოო კორპუსის ინტერიერი. 1960—61. არქიტექტორი ს. ბურდო. ინჟინრები ს. დობრინინი და შეველიოვი. **4.** ფრუნზეს საწარმოო სატრიკოტაჟო გაერთიანება. ქ. ფრუნზე. მეთაური საწარმოს კორპუსი. 1964. არქიტექტორები ა. კორჟემპო, ი. მედვედევი და სხვ. ინჟინერი ვ. უსპენსკი. **5.** „აეგ-ის" ფირმის მაღალი ძაბვის მოწყობილობის ფაბრიკა. ბერლინი. 1910. არქიტექტორი პ. ბერენსი (1920-იანი წლების ფოტო). **6.** მანქანათსაშენი ქარხანა. მიუნხენი (გფრ) პრეციზიონული (ზუსტი) დაზგების საამქროს ინტერიერი. 1950-იანი წლები. არქიტექტორი ვ. პენი. **7.** ბამბის სართავი ფაბრიკა. ბუქარესტი. სართავი საამქროს ინტერიერი. 1950-იანი წლები. არქიტექტორი ი. ბებელენესკუ, ინჟინერი ა. ტაილერი. **8.** ტრიკოტაჟის თეორეულის საწარმოო გაერთიანება თბილისი. 1979. ლენინგრადის სახელმწიფო საპროექტო ინს-






სამტრედიის რაიონი (I). **1.** სოფ. დაფნარის სიმინდის ყანა. უკან სოფ. დაფნარი. **2.** მდ. ცხენისწყლის ხეობა. **3.** სოფ. ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვარი. **4.** სოფ. ახალ ჯიხაიშის სტალინის სახ. კოლმეურნეობის ჩაის პლანტაცია. **5.** სამტრედიის მეცხვეობა-მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური. **6.** სოფ. გომის მებოსტნეობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობაში პამიდვრის მოსავლის აღება. **7.** სამტრედიის ჩაის კომბინატი, ჩაის მშრალი ფენტრატის საამქრო. **8.** სამტრედიის საკონსერვო ქარხანა, ტომატის დამამზადებელი საამქრო. **9.** სამტრედიის ხის დასამუშავებელი კომბინატის ავეჯის ფაბრიკა.




























სტ. სამტრედიის რაიონი (II). 1. სამტრედია. კულტურისა და დასვენების პარკი. 2. სამტრედია. ადმინისტრაციული შენობა. 3. სოფ. საჯავახო. 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა. 4. სოფ. დიდი ჯიხაიში. ნ. ნიკოლაძის სახელობის სასოფლო—სამეურნეო ტექნიკუმი. 5. სოფ. ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა. 6. სოფ. ნოღის ა. შანიძის სახელობის საშუალო სკოლა. 7. სამტრედია. კულტურის სახლი. 8. სოფ. დიდი ჯიხაიში. ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. 9. სოფ. საჯავახო. ქორეისუბნის ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები.
























სტ. *სამხრეთი ამერიკა.* **1.** ბრაზილია. ქ. რიო-დე-ჟანეიროს ხედი. **2.** ყავის მარცვლის კრეფა რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად. **3.** ვალპარაისო—ჩილეს მნიშვნელოვანი ნავსადგური. **4.** აკონკაგუა — ანდებისა და საერთოდ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი. **5.** დედამიწაზე უკიდურესი სამხრეთი დასახლება ცეცხლოვან მიწაზე, ბიგლის სრუტის ნაპირას. **6.** პერუ. ქ. ლიმა. **7.** ბრაზილია. იგუასუს ჩანჩქერი. **8.** პალმის ნათელი ტყე ენტრე-რიოსის პროვინციაში. არგენტინა.


















სტ. *სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.* **1.** ქ. კეიპტაუნის ხედი ზღვიდან. უკანა პლანზე მაგიდა მთა. **2.** ინდოეთის ოკეანის სანაპირო კეთილი იმედის კონცხის რაიონში. **3.** იოჰანესბურგის ოქროს საწარმო. **4.** ციტრუსების პლანტაცია ნატალის პროვინციაში. **5.** იოჰანესბურგი. ქალაქის ნაწილის ხედი. **6.** ვკლდის პლატო. შთენილი მთები.







სამრეწველო შეჯვარება, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შეჯვარების ერთ-ერთი სახე; სამოსარგებლო მიზნით 2 ჯიშის ცხოველის შეწყვილება მაღალპროდუქტიული ნაჯვარის მისაღებად. ს. შ-ით მიღებული ნაჯვარი, როგორც წესი, სამეურნეო-სასარგებლო ნიშნების მხრივ ჰეტეროზისს იჩენს, მაღალი ცხოველმყოფელობა აქვს და უმეტესად პროდუქტიულობითაც აღემატება საწყისი ჯიშის ცხოველებს. ს. შ. ხორცის, მატყლისა და კვერცხის დამატებითი რაოდენობით მიღების ერთ-ერთი წყაროა.

სამრეწველო ხელოვნება, მხატვრული მიმდინარეობა საბჭ. ქვეყნის 20-იანი წწ. კულტურაში. არსებობის პირველ პერიოდში (1918—21) მჭიდროდ უკავშირდებოდა ე. წ. მემარცხენე მიმდინარეობებს ფერწერასა და ქანდაკებაში. ს. ხ-ის მიმდევართა მიზანი იყო ხელოვნებისა და მატერ. წარმოების შერწყმა მაღალგანვითარებულ სამრეწვ.-ტექ. ბაზაზე; კავშირის აღდგენა ხელოვნ. და ხელოსნობას შორის. ისინი მცდარად ფიქრობდნენ, რომ ს. ხ-ის საშუალებით — ახ. არქიტექტურის, საცხ. და საზ. შენობების ახ. ტიპების, ავეჯის, სამოსის, მოწყობილობათა წყალობით — შეძლებდნენ საზ-ბის სოციალ. გარდასახვას, ბურჟ.-მეშჩანური ყოფისა და შეხედულებათა ლიკვიდაციას. ს. ხ-ის თეორეტიკოსები (ბ. არვატოვი, ო. ბრიკი, ა. განი, ბ. კუშნერი, ვ. პლეტნიოვი, ნ. ტარაბუკინი და სხვ.) თავისი რომანტ.-უტოპიური ილუზიებით ახლოს იდგნენ პროლეტკულტის იღეებთან. ისინი უარყოფდნენ წარსულის კულტურულ მონაპოვარს და ახ. პროლეტ. კულტურის შექმნას ცარიელ ადგილზე აპირებდნენ.

მიუხედავად მცდარი თეორ. პროგრამისა, ს. ხ-ის მიმდევართა პრაქტ. მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა *მხატვრული კონსტრუირების* სფეროში — ავეჯის (ვ. ტატლინი, ა. როდჩენკო); პოლიგრაფიის (ა. განი, ლ. ლისიცკი, ა. როდჩენკო); ქსოვილებისა და სამოსის (ლ. პოპოვა, ვ. სტეპანოვა, ვ. ტატლინი); გამოფენების გაფორმების (გ. კლუცისი, ლ. ლისიცკი) ახ. ტიპების შექმნაში. საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში ჩატარებული ზოგიერთი ღონისძიება (წარმოებისა და ხელოვნ. დაახლოება) თავისი შინაარსით შეესაბამება ს. ხ-ის პრობლემებს; განათლების სახ. კომისარიატის სახვით ხელოვნებათა განყ-ბასთან ჩამოყალიბდა მხატვრულ-საწარმოო საბჭო, მხატვრული განათლების და მხატვრული შრომის ქვეგანყოფილებები, რ-ებიც ფ-ებში აყალიბებდნენ მხატვრულ სახელოსნოებს; 1920 შეიქმნა „უმაღლესი სახელმწიფო სამხატვრო სახელოსნოები". თვით ს. ხ-მ უკვე 20-იანი წწ. დასასრ. განიცადა კრიზისი და მისი მიმდევრების დიდი ნაწილი უშუალოდ წარმოების სფეროში შეუდგა მოღვაწეობას.

ლიტ.: Мурина Е., Прикладная графика. «Творчество», 1964, № 2.

სამსარი, მთა აბულ-სამსარის ქედზე. სიმაღლე 3285 *მ*. წარმოადგენს ეულკანურ კონუსს. კონუსის შიგნით 3 *კმ* დიამეტრის კალდერაა. კალდერის ფსკერი მოფენილია ძველმყინვარული მორენული მასალითა და ყინვისმიერი გამოფიტვის ლოდებით, რ-თა შორის გაბნეულია პატარა ტბები. ს-ის კალთებზე გვხვდება მყინვარული კარები. მთა აგებულია ძველმეოთხეული გიალოდაციტებით, მოკლებულია მთლიან მცენარეულ საფარს. *ს. ნემანიშვილი.*

სამსარი, ახალქალაქის რ-ნის სოფლების *დიდი სამსარისა* და *პატარა სამსარის* ძვ. სახელწოდება.

სამსარის ქედი, იხ. *აბულ-სამსარის ქედი.*

სამსონაძე თენგიზ მიხეილის ძე (დ. 15. II. 1928, საჩხერე), ქართველი საბჭ. ფერმწერი, გრაფიკოსი, კინოსა და თეატრის მხატვარი. საქ. სსრ სახ. მხატვარია (1980). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1955). იქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას (1970-იდან). 1956-იდან საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის მთავარი მხატვარია. ნამუშევრები: „ქართველები პეტრე პირველთან" (1955, ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, თბილისი), „რუსთაველი" (1959, საქ. ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), „მოგონება" (1977, სპორტის სასახლე, თბილისი), პანო „ძველი თბილისის მოტივები" (1980, ოლიმპიური ქალაქი, მოსკოვი) და სხვ. ს. მუშაობს წიგნის გრაფიკაშიც: შოთა რუსთაველის „აფორიზმები" (1966), ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვ. ი. ლენინი" (1969), ქართული ხალხური ზღაპარი „სიზმარა" (1980); გაა-ფორმა კ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრის სპექტაკლი კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი" (1965).

სამსონი (ძვ. ებრ. შიმშონ), ბიბლიური ტრადიციით, ისრაელთა ლეგენდარული გმირი, ძლიერთა შორის უძლიერესი გოლიათი, შუამთვარი, ცბიერი, შუთითისთავი, თავნება და ქალების მოტრფიალე. ღვთისთვის ყოფილა შეწირული და, აღთქმისამებრ, არც ღვინო უნდა დაელია და არც თმა უნდა გაეკრიჭა (მისი ძალის საიდუმლო თმაში იყო). ისრაელთა მტრების — ფილისტიმელების დაუძინებელი მტერი ყოფილა და მადლიერ თანამემამულეებს მსაჯულად აურჩევიათ. ბოლოს ვერაგი ფილისტიმელი ქალის *დალილას* მსხვერპლი გამხდარა — მას შეუპყრია მძინარესათვის თმა, დასუსტებული ს. შეუპყრიათ, თვალები დაუთხრიათ და დილეგში ჩაუგდიათ. ფილისტიმელები მტერზე გამარჯვებას დაგონის ტაძარში ზეიმობდნენ. ს-ც იქვე ჰყოლიათ მიჯაჭვული. ტყვეობაში ს-ს თმა წამოზრდია და ძალაც დაბრუნებია. ტაძრის ორი სვეტისათვის ხელები შემოუჭდია და დაუყვირია: „მოკვედე, სულო ჩემო, ფილისტიმელთა თანა", ტაძარი ჩამონგრეულა და 3 ათ. კაცი ჩაუტანია. ს. გახდა სიმბოლო გმირისა, რ-იც მონობაში სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს.

სამსონია ალექსანდრე დავითის ძე (დ. 23. XI. 1933, ბათუმი), ქართველი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1971-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1957). 1980-იდან ჟურნ. „ჭორიხის" მთავარი რედაქტორია. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა 1957, მოთხრობების პირველი კრებ. „იუმორისტული მოთხრობები" — 1959. ს-ს ეკუთვნის პროზაული კრებულები [„ჩემი შვილი სიმონი" (1961) „ზღვა, მზე და სიყვარული" (1965), „პროვინციის მზე" (1973), „ნარკვევები" (1975), „წვიმიანი მზიანეთი" (1976), „ზღვა და სიყვარული" (1980) და სხვ.], პიესები („ძველი ქოლგა", „ვაჩე ვაჩეიშვილი და სხვები" და სხვ.).

სამსონოვი ალექსანდრე ვასილის ძე [2 (14). XI. 1859 — 17 (30). VIII. 1914, ვილენბერგის მახლობლად, ახლანდ. ვიელბარკი, ოლშტინის სავოევოდო, პოლ. სრ], რუსი კავალერიის გენერალი (1910). დაამთავრა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი (1877) და გენშტაბის აკადემია (1884). მონაწილეობდა რუს.-იაპ. ომში (1904—05). 1906-იდან ვარშავის სამხ. ოლქის შტაბის უფროსი. 1907-იდან დონის ჯარების „ნაკაზნი ატამანი", 1909-იდან თურქესტანის გენ.-გუბერნატორი და თურქესტანის სამხ. ოლქის ჯარების სარდალი. I მსოფლიო ომის (1914—18) დასაწყისში მე-2 არმიის სარდალი. აღ-*მოსავლეთ პრუსიის ოპერაციის* (1914) დროს ჩრდ.-დას. ფრონტის სარდლის ი. ჟილინსკის ინერტულობისა და 1-ელი არმიის სარდლის პ. *რენენკამპფის* ღალატის გამო მე-2 არმია დამარცხდა. ალყიდან გამოსვლის დროს ს. დაიღუპა (ეტყობა, თავი მოიკლა).

სამსუნი (Samsun), ქალაქი ჩრდ. თურქეთში, სამსუნის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 198,3 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური შავი ზღვის სამსუნის უბის ნაპირზე (ტევრთბრუნვა დაახლ. 1,5 მლნ. ტ წელიწადში). გააქვთ თამბაქო, მარცვლეული, მატყლი, ხილი. რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. აეროპორტი. მეთამბაქოეობის დიდი რ-ნის ცენტრი. იმპორტ. საქონლის განმანაწილებელი პუნქტი. კვების (უმთავრესად თამბაქოს), ქიმ. მრეწველობა. მინერ. სასუქების წარმოება. თევზჭერა. დაარსდა ძვ. წ. VI ს-ში (ამისუსი).

სამსხვერპლო, ქვის ბლოკის ან ქვის წყობის, კლდის, თიხის, ალიზის, ხის, მიწისა და ა. შ. შემაღლება (ზოგჯერ სიმბოლური გამოსახულებებით შემკული), რ-იც ძვ. წარმართულ ხალხებში ღვთაებისადმი მსხვერპლის შესაწირად და ლოცვა-კურთხევისათვის იყო განკუთვნილი. ემსახურებოდა აგრეთვე მიცვალებულთა კულტს. დამახასიათებელია ყველა განვითარებული რელიგიისათვის, პრიმიტ. ხალხებს არა აქვთ. ხშირად ს-ს აწყობდნენ ღია ცის ქვეშ ტაძრებთან, წმ. ადგილებსა და მოედნებზე, რათა მსხვერპლშეწირვის კვამლს ღვთაებამდე მიეღწია. ს. ეწყობოდა დახურულ ნაგებობებშიც (ტაძარი, სამლოცველო, საცხოვრებელი და აკლდამა). ევროპაში ნეოლითის ხანის მეგალითურ სამარხებში გვხვდება ქვის ს-ები ჯამისებური ჩაღრმავებებით ან ლანგრისებური ქვები თხევადი შეწირულებისათვის. მსგავსი თიხის (ლანგრისებური) ს-ები ცნობილია ტროა II-იდან (ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანა), ევრ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის სამარხებში ხშირად გვხვდება ს-ები. ე. წ. რქიანი ს-ები დამახასიათებელია მცირე აზიისათვის, ალმერიის სამარხების ჯგუფისათვის ესპანეთში, უნგრ., სილეზიის, ბოემიის და სამხრ. გერმ. ჰალშტატური ხანისათვის, განსაკუთრებით კრეტა-მიკენის კულტურისათვის. ისინი ნამგალა მთვარის გამოსახულებას უკავშირდებოდა და მთვარის ღვთაების კულტს ემსახურებოდა, რ-იც მიცვალებულთა ღვთაებასაც განასახიერებდა. წინა აზიიდან ცნობილია ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყ. ვაზის ფორმის სადგამები, შესაწირავი წყლისათვის (შუმერი, სუსა) ოთხკუთხა მაგიდისებური ს-ები (ასური, ძვ. წ. III ათასწლ.) თიხის პატარა სახლის მოდელები (სასაკმევლეები), რ-თაც ტაძრისებური ფასადი ჰქონდა. სასაკმევლე თასები, ბრინჯაოსა და ქვის სამფეხა (ასურული ხანა) და ოთხფეხა (ახალი ბაბილ. ხანა) ს-ები. მოვეიანებით მესოპოტამიაში გაჩნდა ტაძრის წინ მდგარი ს-ები. ეგვიპტეში შესაწირავს ჭილობზე, ქვის ფილებზე ან ტაბლებზე ალაგებდნენ. შემდგომში კი ცნობილია: ალებასტრის დიდი ს. ნეუსერეს მზის სამლოცველოდან; გრანიტისა — ლიშტში და სესოსტრის I-ის პირამიდის წინ; კირქვისა — დაირ-ელ-ბაჰრში დედოფალ ჰატშეფსუტისა. ცნობილია სხვა ტაძრების და სამარხების ს-ები. ვარაუდობენ, რომ დიდ ს-ებზე მსხვერპლს წვავდნენ. სირია-პალესტინაში სულების სამყაროს კეთილგანწყობას ეძიებდნენ საჩუქრების საშუალებით, რ-თაც საცხოვრებლის წინ ან უსაფრთხო ადგილას ალაგებდნენ. მსგავსი მოვლენით ხასიათდება მთელს მსოფლიოში ე. წ. ქვათასების გავრცელებას. ამ მხრივ მდიდარია პალესტინა.


ბერძნებსა და რომაელებს ღმერთებისა და გმირების თაყვანსაცემად უკვე ადრეული ხანიდან ჰქონდათ ბუნებრივი კლდოვანი ბლოკები, ხელოვნური ს-ები და ს. ტაბლები. ტაძრების გაჩენიდან (ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყ.) მთავარი ს., რ-ზეც სისხლშეწირვა ხდებოდა, ტაძრის წინ ან გვერდით იყო. თვით ტაძარში კი ტაბლა იყო მოთავსებული. ს-ები განკუთვნილი იყო მთავარი ღმერთისათვის, აგრეთვე სხვა მრავალი ღვთაებისათვის. ს-მ



თ. სამსონაძე.



თ. სამსონაძე. „მოგონება". ფრაგმენტი. 1978. საქ. სსრ სურათების გალერეა. თბილისი.



სამსხვრეველა. სამსხვრეველების პრინციპული სქემები: ა—ყბებიანი; ბ—კონუსური მსხვილი მსხვრევისათვის; გ—კონუსური საშუალო და წერილი მსხვრევისათვის; დ—გლინებიანი; ე—გლინებიანი კბილა; ვ—ჩაქუჩიანი; ზ—როტორიანი;

თანდათან მონუმ. სახე მიიღო (ზევსის ს. პერგამონში, **Ara Pacis Augustae** რომში).

საქართველოში ს-ების არსებობა დადასტურებულია ძვ. წ. VI—V ათასწლეულში ნეოლით-ენეოლითის ხანიდან. ქვემო ქართლის ადრინდ. სამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე. ოთახის ცენტრში გამართულ კერებში, რ-თა მთავარი ფუნქცია ცეცხლის შენახვა იყო, აღმოჩნდა შეწირული ნივთები და ცხოველთა ძვლები, რასაც მზის, ნაყოფიერების და „დიდი დედის" კულტს უკავშირებენ. მტკვარ-არაქსის კულტ. ძეგლებში გვხვდება კერასთან დაკავშირებული რქებიანი თიხის სადგრები. ზოგი მკვლევარი მათ „რქებიან საკურთხეველებად" მიიჩნევს (რ. დუსო). მრავლადაა აღმოჩენილი ითიფალური ხასიათის ნალისებრი ზესადგრები, ნალისებრი კერები და ს-ები. ნაგებობებში დამოწმებულია თიხის შემაღლებები შესაწირავი ჭურჭლითა და სხვა ნივთებით. თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე (ძვ. წ. II ათასწლ.) გამოსახულია მაღალფეხიანი ს. ზოგიერთ თიხის ჭურჭელზე კი ს-ს სქემატური გამოსახულებებია. გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე აღმოჩენილია მრავალი სახის ს.: სათავსოთა შიგნით შემაღლებული და შელესილი თაროები თუ ორმოები, სავარძლისებური ს-ები კერებითა და სხვადასხვა სიმბოლოთი, მრავალნაირი შეწირულებით, სამლოცველო სენაკები და საკულტო კომპლექსები (ნაცარგორა, ხოვლეგორა, ყათნალიხევი, დიღომი და სხვ.). აგრეთვე საკულტო მოედნები მრავალრიცხოვანი ნივთიერი შეწირულებით (მელიღელე, მელაანი, არაშენდა, შილდა, ქვემო ქედი). ანტ. ხანის ტაძარ-სამლოცველოთა ნიმუშებს წარმოადგენს ვანის ნაქალაქარისა და დედოფლის მინდვრის სატაძრო ქალაქის მთავარი ტაძრის ს-ები.

ქართ. ეთნოგრ. სინამდვილეში შემონახულია ქართ. საკულტო ადათ-წესები საკურთხ-საწირავი რიტუალით, საზოგადო კულტმსახურების ადგილები — ჯვარხატები და სხვ., რ-ებშიც კარგად ჩანს მრავალი წარმართული ელემენტი.

ე. გოგაძე.

სამსხვერპლო (ლათ. **Ara**), ცის სამხრ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*; ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავების ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეებია* 2,8 და 3,0. დაკვირვებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია ივნ.-ივლ-ში; ჩანს სსრკ უკიდურესი სამხრ. რ-ნებიდან. საქართველოდან უხილავია.

სამსხვრეველა, ნატეხი მასალის (უმთავრესად მინერალური ნედლეულის) სამსხვრევი მანქანა. განასხვავებენ მსხვილად (100—300 *მმ*-მდე), საშუალოდ (25—100 *მმ*) და წვრილად (5—25 *მმ*) სამსხვრევ ს-ებს. მმსხვრეველი ორგანოს ფორმის მიხედვით ს-ები არის 5 კლასისა (ნახ.): ყ ბ ე ბ ი ა ნ ი [მასალა იმსხვრევა 2 მართკუთხა ფილით („ყბით") წარმოქმნილ სოლისებური ფორმის სამუშაო სივრცეში], კ ო ნ უ ს უ რ ი (მასალა იმსხვრევა უძრავ კონუსურ ჯამში წრიულად მოქანავე კონუსით), გ ლ ი ნ ე ბ ი ა ნ ი (მასალას ამსხვრევს 2 პარალელური ცილინდრული გლინი), ჩ ა ქ უ ჩ ი ა ნ ი (მასალა იმსხვრევა სახსროვნად ჩამაგრებული ჩაქუჩებით) და ღ ე რ ო ვ ა ნ ი (*დეზინტეგრატორი*). პირველი 3 კლასის ს-ებს იყენებენ სალი მასალის (მადნის, სამშენებლო ქვისა და სხვ.) სამსხვრევად; ჩაქუჩიან ს-ს ა ვ ი შ ე ე ბ ე ნ მყიფე და რბილ მასალაზე (ნახშირი, კირქვა, ბოქსიტები და სხვ.).

სამსხვრევის ავტომატი, *სამსხვრევის წარმოების* ავტომატი მოცემული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული ტექნოლოგიური ოპერაციის ან ოპერაციათა კომპლექსის შესასრულებლად. ს. ა. იძლევა შრომის ნაყოფიერების გაზრდის საშუალებას და უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობის მაღალ დონეს. შექმნილია ს. ა-ები საყალიბე და საკოპე ნარევის მოსამზადებლად და სარეგენერაციოდ, ყალიბებისა და კოპების დასამზადებლად, ყალიბების შესავსებად, სხმულის გასაწმენდად და სხვ. ს. ა-ებს ფართოდ იყენებენ ფერადი ლითონებიდან წვნევით ჩამოსხმის მეთოდით სხმულის მისაღებად.

სამსხმელო ეზო, საბრძმედე საამქროს ნაწილი უშუალოდ ბრძმედთან, სადაც ატარებენ თუჯისა და წიდის ჩასასხმელ სამუშაოებს (იხ. *ბრძმედული წარმოება*). თანამედროვე ს. ე. გადახურულია. მას ემიჯნება თუჯსაზიდი და წიდასაზიდი ციცხვების ლიანდაგი. ჩამომსხმელი მანქანების დანერგვამდე ს. ე-ში თუჯს შოთების მისაღებად ასხამდნენ *ბოყეებში* ან ქვიშის ყალიბებში.

სამსხმელო თუჯი, ბრძმედში გამოდნობილი თუჯი, რ-იც შეიცავს ნახშირბადს (ძირითადად თავისუფალი გრაფიტის სახით) და სილიციუმს 3,75%-მდე; იყენებენ სამსხმელო წარმოებაში *სხმულების* მისაღებად.

სსრკ-ში უშვებენ 6 მარკის (ᲚᲙ0-იდან ᲚᲙ 5-მდე) თუჯს, რ-ის შედგენილობაში შედის 3,5—4,5%C და 0,75—3,75% Si. ექვსივე მარკის თუჯი მანგანუმის შემცველობის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად, გოგირდის შემცველობის მიხედვით—3 კატეგორიად, ფოსფორის შემცველობის მიხედვით — 4 კლასად.

ს. მ-ს ჩამოასხამენ შოთებად. იგი შედის საკაზმე მასალის შედგენილობაში. **სამსხმელო კოპი,** სამსხმელო ყალიბის მოსახსნელი ნაწილი, რ-იც უმთავრესად აფორმებს სხმულის შიგა ღრუს. იმ შემთხვევაში, როცა სამსხმელო მოდელის კონფიგურაციის გამო გაძნელებულია მისი ამოღება სამსხმელო ყალიბიდან, ს. კ-ს იყენებენ სხმულის გარე ნაწილების გასაფორმებლადაც. ს. კ-ს ამზადებენ საკოპე მანქანებზე ან ხელით დაყალიბებით სპეც. საკოპე ნარევისაგან.

სამსხმელო მოდელი, სამარჯვი, რ-ის მეშვეობით სამსხმელო ყალიბში მისაღები სხმულის მოყვანილობის ღრუს ღებულობენ. ს. მ. *სამოდელო კომპლექტის* ნაწილია. იგი შეიძლება იყოს არაგასართი (მარტივი კონფიგურაციის სხმულისათვის) ან ორი და მეტი ნაწილისაგან შედგენილი. ინდივიდ. წარმოებაში ს. მ-ს ამზადებენ მერქნისა და პლასტმასისაგან, მასობრივ და მსხვილ სერიულ წარმოებაში — ლითონისა და პლასტმასისაგან. ზოგჯერ იყენებენ ადვილდნობად ნარევს სტეარინისა და პარაფინისას, ან ქაფპლასტისაგან დამზადებულ ერთჯერად ს. მ-ებს.

სამსხმელო ყალიბი, ყალიბი, რ-საც იყენებენ სამსხმელო წარმოებაში სხმულების მისაღებად. ს. ყ-ში ასხამენ გამდნარ მასალას (ლითონის ან ქვის). მას ამზადებენ კვარცის ქვიშისაგან, ბენტონიტისაგან, თიხისაგან (იხ. *საკოპე ნარევი, საყალიბო ნარევი*) აგრეთვე ლითონისაგან.

სამსხმელო წარმოება, მრეწველობის დარგი, რ-ის პროდუქციაა *სამსხმელო ყალიბების* თხევადი შენადნობებით შევსების შედეგად მიღებული სხვადასხვა დანიშნულების *სხმულები*. ჩამოსხმით შეიძლება დაამზადონ პრაქტიკულად ნებისმიერი მოყვანილობის, მასის (რამდენიმე გ-იდან ასეულ ტ-მდე) და სისქის (მეათედი *მმ*-იდან რამდენიმე *მ*-მდე) სხმული. სხმულებს იყენებენ მანქანათმშენებლობაში (საერთო წარმოების 70%), მეტალ. მრეწველობაში (20%), სანიტ.-ტექ. მოწყობილობათა წარმოებაში (10%). ჩამოსხმის მეთოდით ამზადებენ აგრეთვე ქანდაკებებს, ბიუსტებს და სხვ.

სხმული ნაკეთობების წარმოება ძვ. წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი. ჩინეთში, ინდოეთში, ბაბილონში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში ჩამოსხმით ამზადებდნენ რელიგ. კულტის, ხელოვნ., საოჯახო, საომარი და სხვა დანიშნულების საგნებს. XIII—XIV სს-ში ბიზანტიაში, ვენეციაში, გენუაში, ფლორენციაში ჩამოსხმით ქმნიდნენ ხელოვნ. ნიმუშებს. XIV—XV სს-ში რუსეთში ასხამდნენ ბრინჯაოსა და თუჯის ზარებსა და ბადროებს, ზარებს. 1479 მოსკოვში ააგეს „საზარბაზნე ქოხი" — პირველი სამსხმელო ქ-ნა. 1586 ა. ჩოხოვმა ჩამოასხა „მეფე-ზარბაზანი" (40 ტ). პეტრე I-ის მეფობისას ს. წ. გაიზარდა. XVII ს-ში სხმულები საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. შემდგომში რუსეთში შეიქმნა სამსხმელო ხელოვნების ნიმუშები: 1735 — „მეფე-ზარი" (200 ტ), 1782 — პეტრე I-ის ძეგლი (22 ტ) და სხვ. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სხმული, სამჭედლო უროს შაბოტი (650 ტ), დაამზადეს პერმის ქ-ნაში (1873).

საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლ. ძეგლების შესწავლით დაადგინეს, რომ საქართველოში სამსხმელო ტექნოლოგიამ განვითარება დაიწყო ბრინჯაოს ხანის ადრეულ პერიოდში (IV—III ათასწლ.). ამ დროს იყენებდნენ ქვის უხეშ ყალიბებს, მოგვიანებით —ქვიშა-თიხის ნარევისას. შუა ბრინჯაოს პერიოდიდან დაიწყეს აგრეთვე ცვილის მოდელებით (გამოსალღობი) დამზადებული ყალიბების გამოყენება. ამასთან სხმულებისათვის ადრე გამოყენებულ დარიშხანიან და სტიბიუმიან ბრინჯაოსთან ერთად დაიწყეს კალიანი ბრინჯაოს გამოყენებაც. გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველ ეტაპზე დარიშხანიანი და სტიბიუმიანი ბრინჯაოს წარმოება თითქმის შეწყდა. სხმულებისათვის ძირითადად იყენებდნენ კალიან ბრინჯაოს, აგრეთვე ს. წ-ში უფრო მოსახერხებელი კონსტრუქციის იარაღ-სამარჯვეებს, საყალიბე ნარევებს, ცვილის მოდელებსა და ლითონის ყალიბებსაც კი. იმდროინდელ საქართველოში ს. წ-ის მაღალი დონის მაჩვენებელია თხელკედლიანი, რთული მოყვანილობის, ორნამენტებით შემკული საგნები.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სსრკ-ში ს. წ. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. 1922 დაიწყეს ალუმინის შენადნობების სხმულების წარმოება, 1929 — მაგნიუმის შენადნობებისა. შენდებოდა ახ. ქ-ნები, ინერგებოდა ახ. ტექნიკა. 1934 აეჭალაში ააშენეს სამსხმელო ქ-ნა „ცენტროლიტი". ამჟამად ეს ქ-ნა სხმულებით ამარაგებს ამიერკავკ. მანქანათსაშენ საწარმოებს.

ს. წ-ის პროცესი მრავალგვარია. მაგ., ყალიბების თხევადი ლითონით შევსების ხერხის მიხედვით განასხვავებენ ჩვეულებრივ, ცენტრიდანულ, უწყვეტ, ვაკუუმური შეწოვის, გამოწურვის, წნევით და სხვა მეთოდებით ჩამოსხმას; ყალიბის სახეობის მიხედვით — ჩამოსხმას ერთჯერად ყალიბში (ქვიშა-თიხის ნარევისაგან), ნახევრად მუდმივ ყალიბში (ცეცხლგამძლე თიხისა და გრაფიტის, შამოტის, აზბესტის ან სხვა მასალის ნარევისაგან), რ-იც უძლებს 50-მდე ჩამოსხმას, მუდმივ ყალიბში (თუჯის, ფოლადის ან სპილენძისაგან), უძლებს რამდენიმე ათასეულ ჩამოსხმამდე; დანიშნულებისა და ჩამოსხმის ხერხის მიხედვით იყენებენ სხვადასხვა ლითონის ყალიბებს *ბოყვს, კოკილს*, პრესფორმას (წნევით ჩამოსხმისას, აგრეთვე გამოსალღობი მოდელის მისაღებად), კრიტალიზატორს (უწყვეტი და ვაკუუმური მეთოდით ჩამოსხმისათვის).

მოყვანილი სხმულების მისაღებად ფართოდ იყენებენ ქვიშა-თიხის ყალიბებს. ყალიბის ღრუ ფორმითა და ზომებით უნდა შეესაბამებოდეს მისაღები სხმულის ფორმასა და ზომებს. ზოგიერთი სხმული ღრუა, ზოგს აქვს ხვრელი, ღრმული და მისთ. მათ მოხაზულობას სხმულში აღბეჭდავს *საკოპე ნარევისაგან* დამზადებული *სამსხმელო კოპი*, რ-საც ყალიბში ისე ათავსებენ, რომ მან დაიკავოს გათვალისწინებული

ბმულის სიღრუის ადგილი. სხმულების ინ-ივიდ. წარმოებისას ყალიბებს ამზადებენ ელის იარაღ-სამარჯვეების გამოყენებით, ჯრიული და მასობრივი წარმოებისას — ყალიბო მანქანებზე, რ-ებზეც შეიძლება ჭანიზებული იყოს *საყალიბეში* საყალი-ო ნარევის დატკეპნისა და ყალიბიდან ოდელის ამოღების ოპერაციები.

ს. წ-ში მნიშვნელოვანი ოპერაციებია ამხსნელო ყალიბისა და კოპის დამზადე-ა. *სამსხმელო მოდელისა* და *საკოპე ყუ-ის* დამზადებისას ითვალისწინებენ ლი-ონის სამსხმელო თვისებებს და სხმულის ემდგომ ჭრით დამუშავებას. *სამოდელო ომპლექტის* დამზადებას იწყებენ სხმუ-ის ნახაზის შედგენით, განსაზღვრავენ ალიბში სხმულის მდებარეობას, მოდე-ისა და ყალიბის გართვის ხაზს, კოპების აოდენობას, მოდელზე საკოპე ნიშნების ოყვანილობასა და ზომებს. ერთჯერადი ა ნახევრად მუდმივი ყალიბების, აგრეთ-) კოპების დასამზადებლად იყენებენ *ყალიბო ნარევსა* და *საკოპე ნარევს*. მა-ი ხარჯი 1 ტ ვარგის სხმულებზე 5—6 -ს შეადგენს. საყალიბე და საკოპე ნარე-ებს ამზადებენ ს. წ-ის სპეც. უბანზე ნა-ევდასამზადებელ მოწყობილობაზე, რ-იც შედის საცრები, საშრობი, საფქვავი ანადგარი, მაგნ. სეპარატორი, შემრევები ა სხვ. მანქანით დაყალიბებისას საყალი-ეში საყალიბო ნარევს ტკეპნიან შენჯღ-ევით, წნეხით ან ორივეთი ერთად. დიდ ალიბებს ავსებენ *სილასატყორცნით* ან *ილასაჭრევი მანქანით*. საკოპე ყუთში აკოპე ნარევს ტკეპნიან საკოპე მანქანებ-ე. კოპებსა და დიდი ზომის ყალიბებს შრობენ სპეც. საშრობებში, ხოლო თვით-ამყარებადი ნარევების გამოყენებისას ამდინარეობს ქიმ. შრობა. ყალიბის აწყო-ის ოპერაციებია: კოპის ყალიბში დაყე-ება, ნახევარყალიბების შეერთება და ამაგრება.

შენადნობის გამოსადნობად აგრეგატს ბოვი, ელექტრული ტიგელიანი, რკა-ური ინდუქციური ღუმელები და სხვ.) შე-რჩევენ შენადნობის სახეობისა და რაო-ენობის მიხედვით. ყალიბში თხევად ლი-ონს ასხამენ ციცხვიდან, რ-საც სადნობი გრეგატიდან პერიოდულად აწვდიან ხევად ლითონს. გამყარებულ სხმულებს ალიბებიდან გამოაგდებენ *ჯიბრაციულ ისხზე* ან პნევმ. მხრეულზე. ჩამოამტ-რევენ *სასხმოა სისტემის* ელემენტებს და აწმენდენ (იხ. *საფანტსატყორცნი* და *აფანტჭავლური დამუშავება*). ამის შემ-ეგ სხმულს შემოაჭრიან ზედმეტ ნაწი-ებს (თუ იგი ფერადი ლითონისაგანაა ამზადებული, ლითონსაჭრელ ჩარხზე) ა ჩამოწმენდენ პნევმ. ღოჯითა და აბ-აზიული იარაღით. საჭირო მექან. თვი-ებების მისანიჭებლად ფოლადის, ჭედა-ი თუჯის, ფერადი შენადნობების სხმუ-ებს თერმულად ამუშავებენ. ხარისხის ემოწმებისა და დეფექტების გამოსწორე-ის შემდეგ სხმულებს დადალავენ და მზა როდუქციის საწყობში აგზავნიან.

ს. წ-ის ტექნოლ. პროცესები მიმდინარე-ბს მაღალ ტემპ-რაზე; ოპერაციებს თან დევს აირებისა და კვარცის შემცველი ტერის გამოყოფა. ს. წ-ში ყველაზე შრომა-ევადი ოპერაციებია დაყალიბება, კოპის ამზადება და სხმულის გაწმენდა. ამიტომ ა უბნებზე უმეტეს შემთხვევაში ტექნოლ. პერაციები მექანიზებული და ავტომა-იზებულია. მაგ., ბიურერ-ფიშერის (შვე-ცარია) სისტემის ავტომ. ხაზზე ავ-ომატიზებულია ყალიბის დამზადების, წყობის, მასში თხევადი ლითონის ჩასხ-ის, სხმულის გაცივებისა და გამოგდების პერაციები. საბოლოო ოპერაციებისათვის სხმულების გაწმენდა და ჩამოწმენდა) ამოყენებულია უწყვეტი მოქმედების გა-ასველი დოლი. ს. წ-ის მექანიზაციისა ა ავტომატიზაციის შესაძლებლობა გან-აკუთრებით გაიზარდა ჩამოსხმის ახ. ექნოლ. პროცესების შემუშავების შემ-დეგ. მაგ., გარსულ ყალიბებში ჩამოსხმა, ანუ კრონინგ-პროცესი (გფრ), კოპის დამ-ზადება ცივ საკოპე ყუთში გამყარებით (დიდი ბრიტანეთი), კოპის დამზადება ცხელ საკოპე ყუთში გამყარებით (საფ-რანგეთი). სსრკ-ში დანერგილია სხმუ-ლების კომპლ.-ავტომატიზებული წარმო-ება გამოსალღობი მოდელებით, რ-ის მწარმოებლურობაა 2500 ტ წვრილი სხმუ-ლი წელიწადში.

ლიტ.: თავაძე ფ., მელქარია-შვილი მ., ლითონთა და სხვა საკონსტრუქ-ციო მასალათა ტექნოლოგია, თბ., 1970; Тавадзе Ф.Н., Сакварелидзе Т. Н., Бронзы древней Грузии, Тб., 1959; Технология конструкционных материалов, М., 1977; Фаталов Л. И., Основы проектирования литейных цехов, М., 1953. *მ. მელქარიაშვილი.*

სამსჯავრო სახლი, სამოსამართლო დაწესებულების ძვ. ქართული სახელწოდება. იხსენიება ჯამთაალმწერლის თხზულებაში (XIV ს.). ავტორის ცნობით, დიმიტრი თავდადებული, ურდოში ყაენის ბრძანებით პატიმრად პყრობილი, განსასჯელად „წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დივანხანად უწოდდეს“ მონღოლნი.

წყარო: ჯამთაღმწერელი, მონ-ღოლთადროინდელი ისტორია, წგნ.: ქართ-ლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქარ-თული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ი. ფუტკარაძე.*

სამტვრე, *მტვრიანის* ძირითადი ნაწილი. შედგება 2 სიმეტრიული ნახევრისაგან, რ-თაც ყოფს შუასაბამი. იგი, უმეტესად წვრილია და მტვრიანას ძაფის გაგრძელებას წარმოადგენს. მცენარეთა უმრავლესობის ს-ის თითოეული ნახევარი გასწვრივი ტიბ-რით იყოფა ორ ს. ბუდედ ანუ ს. პარ-კად, სადაც ვითარდება მტვრის მარცვ-ლები.


სამტრედია, ქალაქი (1921-იდან) დას. საქართველოში, რ-ნული ცენტრი. მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ-ებს რიონსა და ცხენისწყალს შორის. სატრანსპ. კვანძი (სარკინიგზო და საავტ. გზები თბილისის, ბათუმისა და სოხუმისაკენ). ზ. დ. 25 *მ*, თბილისიდან 244 *კმ* (რკინი-გზით). ს-ში ზღვის სუბტროპ. ნოტიო ჰავაა, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რაა 14,4°C, იან. 4,7°C, ივლ. 23,2°C; აბსოლ. მინ. —17°C, აბსოლ. მაქს. —41°C; ნალექები — 1530 *მმ* წელიწადში. ქალაქ-შია მეფრინველეობის, ქართული ფუტკ-რის საჯიშე და სახელმწ. სანერგე მეურნეობები, ვ. ი. ლენინისა და ვ. კიკვიძის სახ. კოლ-ბები (მებოსტნეობა, მემინ-დვრეობა, მეცხოველეობა), დიდი სამ-რეწვ. საწარმოები (ჩაის კომბინატი და ჩაის პირველადი დასამუშ. ფ-კა, საშენ მასა-ლათა კომბინატი, ხილკენკრული წვენებისა და საკონსერვო ქილები, აბრეშუმის ძაფსაღე-ბი და ბამბის სართავი ფ-კები, პურის, რძის, ხორცისა და ხის დასამუშ. კომბინატები და სხვ.). არის 10 საშ., 2 საღამოს (ცვლა-ანი), სამუსიკო, სამხატვრო (ბავშვთა) და რკინიგზის ტექ. სკოლები, პროფტექ. სასწავლებელი, 10 საბავშვო ბაგა-ბაღი, 9 საბავშვო ბაღი და 2 ბაგა, პიონერთა სახ-ლი, 2 სახ. თეატრი, კულტსახლი, კინო-თეატრი, რკინიგზელთა კლუბი, 12 ბ-კა, 3 საავადმყოფო, 4 პოლიკლინიკა, 2 სან-ეპიდსადგური, 3 აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. მინერ. წყლის ბაზაზე აშენდა კურ. „სამტრედია“.

სამტრედია, სოფელი ტყიბულის საქა-ლაქო საბჭოს ტერიტორიაზე (საწირის სოფსაბჭო), ტყიბულის წყალსაცავის დას-ით. ზ. დ. 600 *მ*, ტყიბულიდან 3 *კმ*. სა-წირის კოლ-ბა (მეჩაიეობა), ჩაის ფ-კა, ბ-კა, კლუბი. საშ. სკოლა სოფ. საწირეში (3 *კმ*).

სამტრედიის რაიონი, ადმ.-ტერ. რაი-ონი დას. საქართველოში. 1917-მდე ახ-ლანდ. ს. რ-ის ტერიტ. ქუთაისის გუბ. ქუთ. მაზრაში შედიოდა, 1921 საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფით ისევ ქუთ. მაზრაშია, 1929 — ქუთ. ოლქში ს. რ-ის სახელ-წოდებით, 1930-იდან დამოუკიდებელი რ-ნია. ჩრდ-ით ესაზღვრება წულუკიძის, სამხრ-ით — ჩოხატაურის, დას-ით — ლან-ჩხუთისა და აბაშის რ-ნები, აღმ-ით — წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტ. და ვანის რ-ნი. ფართ. 364,1 *კმ²*. რაიცენტ-რი — ქ. სამტრედია. ს. რ-ში შედის 1 სა-ქალაქო (სამტრედია), 1 სადაბო (კულა-ში) და 13 სასოფლო საბჭო (ბაში, გამოჩი-ნებული — ცენტრი ზემო აბაშა, გომი, გორმაღალი, დიდი ჯიხაიში, ეწერი, ია-ნეთი, შელაური, ნაბაკევი, ოფეთი, საჯა-ვახო, ტოლები, ღანირი); 1 ქალაქი, 1 და-ბა და 48 სოფელი.

ბუნება. რელიეფი. რ-ნის ჩრდ. და შუა ნაწილი 20—70 *მ* სიმაღლის ფლუ-ვიალურ-აკუმულაციური ვაკე-დაბლობია. აგებულია მეოთხეული ნალექებით (რიყ-ნარი, ქვიშები, თიხები) და ჩრდ-იდან სამხრ-კენ დასერილია მდინარეთა ხეობე-ბით, რის გამოც ზედაპირი სუსტად ტალ-ღოვანია. ჭარბობს ბრტყელთხემიანი მდი-ნარეთაშორისები და მათ პერიფერიებზე გამომუშავებული ყუთისებური ხეობები. სამხრ-ით აზიდულია ინტენსიურად დანა-ოჭებული პალეოგენური ასაკის ვულკანო-გენური (ბაზალტები, ტრაქიტები და მათი პიროკლასტები) და დანალექი (ქვიშა-ქვები, ფორამინიფერებიანი მერგელები და კირქვები) ქანებით აგებული ნიგოითის (გურიის) ქედი. იგი მკვეთრად არის დასერილი ხევ-ხეობებით და ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი (ალაგ-ალაგ ტერასუ-ლი) რელიეფით. ქედის უმაღლესი ადგი-ლებია: მთები ზანდო (577 *მ*) და ბურნათი (498 *მ*). წიაღისეულიდან აღსანიშნავია საშენი მასალა: ხრეში, სილა, საადრე თი-ხა, კირქვა. ქ. სამტრედიაშია გოგირდოვა-ნი წყალი, რ-ის ბაზაზე შეიქმნა კურ. „სამ-ტრედია“.

ჰავა. რ-ნში ნოტიო სუბტროპ. ჰა-ვაა. ზამთარი მოკლეა, თბილი და წვიმი-ანი, ზაფხული — ხანგრძლივი, ტენიანი და საკმაოდ ცხელი. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა დაბლობზე 14,4°C, გორაკ-ბორცვებზე 13,0°C, იან. 4,7, 4,0°C, აგვ. 23,5°C აბსოლ. მინ. — 17°C, აბსოლ. მაქს. 41°C. ნალექები 1530—1600 *მმ* წელიწად-ში. ნალექების მაქს. ზამთარშია (500 *მმ*), მინ. — გაზაფხულზე (270 *მმ*). აპრილ-მაისი ხშირად გვალვიანია. თოვლი



1 ცხაკაიას რ-ნი, 2.ლანჩხუთის რ-ნი

უმნიშვნელოა, მდგრად საფარს იშვიათად ქმნის. ჭარბობს ფიონური (აღმ.) და ბრიზული (დას.) ქარები, ხშირია უქარო ამინდიც. ზამთრის თვეებში იცის მძლავრი აღმ. ქარები.

მიგა წყლები. რ-ნში ხშირი მდინარეული ქსელია. მთავარი (ტრანზიტული) მდინარეა რიონი, რ-იც აქ ფართოჭალიან და მეანდრულ კალაპოტში მდორედ მიედინება და რ-ნის ტერიტორიას თითქმის 2 თანაბარ ნაწილად ყოფს. მისი სიგრძე რ-ნის ფარგლებში 35 *კმ*-ია. რიონის შენაკადებია: მარჯვნიდან — ცხენისწყალი, ჭურთავა, გუბისწყალი და სხვ.; მარცხნიდან — ჭოგნარა, ხევისწყალი და სხვ. მდინარეთა საზრდოობაში ჭარბობს წვიმის წყალი, ამიტომ აქ წყალდიდობა იცის შემოდგომასა და ზამთარში, წყალმცირობა — გაზაფხულზე. თავსხმა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები წლის ყველა სეზონშია.

ნიადაგები. ვაკე-დაბლობ ნაწილში ჭარბობს სუბტროპ. ეწერი, კარბონატული და უკარბონატო ალუვიური ნიადაგები. გორაკ-ბორცვებზე საშ. და მცირე სისქის ყვითელმიწა და წითელმიწა ნიადაგებია, მდინარეებისპირა ტერასებზე — სუსტად განვითარებული ქვიშიანი ნიადაგები. ტბების ირგვლივ და გადამეტტენიან უბნებთან დაკავშირებულია დაჭაობებული ნიადაგები.

მცენარეული საფარი. რ-ნში 1000-მდე სახეობის მცენარეა. ადრე რ-ნის ტერიტ. თითქმის მთლიანად შემოსილი იყო კოლხური ტიპის მეზოფილური ტყით. დაბლობი ნაწილი ეჭირა კოლხურ ლეშამბოიან ტყეებს (წიფელი, მუხა, რცხილა, მურყანი, იფანი და სხვ.), გორაკ-ბორცვებზე კი იყო მარადმწვანე ქვეტყიანი კოლხური ტყეები. მათში წიფლის, მუხის, რცხილის, წაბლის, ცაცხვის გარდა გავრცელებული იყო მარადმწვანე (წყავი, შქერი, ბზა) და ფოთოლმცვივანი (იელი, მოცვი, თხილი) ბუჩქები; ხვიარა მცენარეებიდან ჭარბობდა სურო, ღვედკეცი, ეკალღიჭი, მაყვალი და სხვ. ტყეებში უხვად იყო პანტა, მაჟალო, ლელვი, თხილი, თუთა, მოცვი და სხვ. გარეული ხეხილი. მდინარეთა სანაპიროზე ხარობდა მურყნის, ლაფნის, ტირიფის ტყეები, ტბებისპირას — ჭაობის ჭილი, ლერწამი, ლელქაში.

ტყეები ამჟამად თითქმის მთლიანად გაჩეხილია; შემორჩენილია მათი მცირე და გაღარიბებული დერივატები, რ-თა ფართ. რ-ნის მთელი ტერიტ. 8—9%-ს არ აღემატება. ნატყევარი ადგილები უჭირავს მეორეულ ბუჩქნარებს, მდელოებსა და კულტურულ მცენარეებს.

ცხოველთა სამყარომ ტყეების გაჩეხვასთან დაკავშირებით სახე იცვალა და გაღარიბდა. თითქმის აღარ გვხვდება მგელი, შველი, გარეული ღორი და სხვ., აქა-იქ შემორჩენილია ტურა, მელა, მაჩვი, კურდღელი, კვერნა, გარეული კატა და სხვ. ფრინველებიდან გვხვდება წყლის ქათამი, ჩხიკვი, შაშვი, ბელურა, სკვინჩა, გვრიტი, ჩხართვი, გუგული, ტყის ქათამი, ოფოფი, მწყერი, ხოხობი, ქედანი, წერო, ყანჩა, ქორი და სხვ. გავრცელებულია ზოლებიანი ხელიკი, ანკარა, ბაყაყი, გომბეშო, აკლიმატიზებულია ძვირფასბეწვიანი ნუტრია. მდინარეებში არის კოლხური ციმორი, კოლხური ტობი, ქაშაპი. ადამიანმა შემოიყვანა და გავრცელდა თევზი გამბუზია.

ძირითადი ლანდშაფტები. გავრცელებულია ნოტიო სუბტროპ. ვაკე-დაბლობებისა და მთისწინების ლანდშაფტის ტიპის შემდეგი სახეები: 1. დაბრილი ვაკე-დაბლობები კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; 2. ჭალები მდელო-ტყის მცენარეულობით (ლაფნარ-მურყნარი) და ალუვიური ნიადაგებით; 3. ბორცვიანი მთისწინები კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით; 4. დაჭაობებული ვაკე-დაბლობი უმთავრესად მურყნარებითა და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგებით.

მოსახლეობა. სოფლების უმეტესობა იმერეთის დაბლობზეა თავმოყრილი. ქალაქად ცხოვრობს რ-ნის მთელი მოსახლ. 55%. მოსახლ. უმრავლესობა ქართველებია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, უკრაინელები, ებრაელები და სხვ. საშ. სიმჭიდროვე 1 *კმ*²-ზე 174 კაცია.

სახალხო მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგებია: მებოსტნეობა, მეჩაიეობა და მეცხოველეობა. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი. რ-ნში სას.-სამ. სავარგულია 18,1 ათ. *ჰა* (1983), აქედან სახნავ მიწებს უჭირავს 10,4 ათ. *ჰა*, მრავალწლოვან კულტურებს — 2,6 ათ. *ჰა*, საძოვრებს — 5,1 ათ. *ჰა*. ტყე და ბუჩქნარი 7,6 ათ. *ჰა*-ზეა. სარწყავი ფართობია 8 ათ. *ჰა*. რ-ნში 9 კოლ-ბა, 2 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება და 8 საბჭ. მეურნეობაა (ბაშის მეთესლეობის, გომის მებოსტნეობა-მერძევეობის, ვაზისუბნის მეეხვეობის, ღვინარისა და ეწერის მეთესლეობის, სამტრედიის მეფრინველეობის, ქართული ფუტკრის საჯიშე და სახელმწ. სანერგე მეურნეობები). სამტრედიაშია საკოლმეურნეობათაშორისო მელორეობის სასუქი პუნქტი, მელაურში— მელორეობის საკონტროლო სასუქი სადგური, კობიტნარში — იანეთის მსხვ. რქ. საქონლის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქი კომპლექსი, გომში — სარძევე კომპლექსი. მეურნ. ახ. დარგია მეიხვეობა. სოფ. ჭაგანშია მეიხვეობა-მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური. პირუტყვის სულადობა (1983): მსხვ. რქ. საქონელი 24,3 ათ., ღორი 16,3 ათ., ცხვარი და თხა 0,8 ათ.

მრეწველობა ადგილ. ნედლეულს ემყარება. დიდი საწარმოებია: ჩაის კომბინატი და ჩაის პირველადი დასამუშ. ფ-კა, ხილკენკრული წვენებისა და საკონსერვო ქ-ნები, აბრეშუმის ძაფსაღები, აბრეშუმის საქსოვი და ბამბის სართავი ფ-კები, საშენ მასალათა კომბინატი, პურის, რძის, ხორცისა და ხის დასამუშ. კომბინატები და სხვ. არის ადგილ. მნიშვნელობის საწარმოებიც, რ-ებიც სხვადასხვა დანიშნულების საქონელს უშვებს. მთლიანი პროდუქციის მოცულობით პირველ ადგილზეა კვების მრეწველობა. სამრეწვ. საწარმოთა უმრავლესობა თავმოყრილია ქ. სამტრედიაში.

ტრანსპორტი. რ-ნი კარგად არის უზრუნველყოფილი ტრანსპორტით, მის ტერიტორიას კვეთს ამიერკავკ. და შავიზღვისპირა რკინიგზის მაგისტრალები. სამტრედიაზე გადის საბჭოელეთო ტრასები ბათუმის, სოხუმისა და თბილისის მიმართულებით. რ-ნს გადაკვეთს საკავშ. მნიშვნელობის საავტ. გზატკეცილები (თბილისი—ქუთაისი—სამტრედია, ბათუმ—სამტრედია—ნოვოროსიისკი) და რესპ. მნიშვნელობის გზები (სამტრედია—წულუკიძე—წყალტუბო, სამტრედია — მაიაკოვსკი). სამტრედია საავტ. მიმოსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია რესპუბლიკაში. ადგილ. მნიშვნელობის გზების სიგრძე 275 *კმ*.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 1983 რ-ნში იყო 48 ზოგადსაგანმან. სკოლა [8. შ. 21 საშ., 16 რვაწლ., 8 დაწყ. და 3 სალამოს (ცვლიანი) სკოლა], 11,0 ათ. მოსწავლე, 1,1 ათ. მასწავლებელი; 18 საბავშვო ბაგა-ბაღი, 18 საბავშვო ბაღი და 2 ბაგა. სამტრედიაში, დაბა კულაშსა და სოფ. დიდ ჯიხაიშში სამუსიკო სკოლებია, სოფ. დიდ ჯიხაიშში — სას.-სამ.ტექნიკუმი, დაბა კულაშში — ზოოვეტ. ტექნიკუმი. სამტრედიაშია პროფტექ. სასწავლებელი, სამხატვრო (ბავშვთა) და რკინიგზის ტექ. სკოლები, პიონერთა სახლი. რ-ნში 35 საკლუბო დაწესებულებ და 59 ბ-კაა. სამტრედიაში არის 2 სახ. თ ატრი, სოფ. დიდ ჯიხაიშში — გამოჩენი ლი ქართველი მწერლისა და საზ. მოღვა წის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (კულ ტურის სახ. უწ-ტით), სოფ. ნაბაკევში — ცნობილი რევოლუციონერების ვანო დ გიორგი სტურუების სახლ-მუზეუმი. გა მოდის რ-ნული გაზ. „წინსვლა". რ-ნ ელექტრიფიცირებულია. იღებენ რადიო და ტელეგადაცემებს.

რ-ნის ჯანმრთელობის დაცვას ემსახუ რება ბალნეოლ. კურ. „სამტრედია", საავადმყოფო (595 საწოლი), 25 ამბულ პოლიკლინიკა, 290 ექიმი და 725 საშ. მედ მუშაკი.

ისტ. ძეგლებია: კულაშის (შუა საუკ.) ოფეთის (XI ს.), საჯავახოს (ქორეისუბნის მიდამოებში), ღვთისმშობლის (შუ საუკ.) ეკლესიები. საჯავახოს მიდამოებში მონასტერი „გამოჩინებული" (შუა საუკ.) ტოლების მიდამოებში, — „თამარის ციხე (შუა საუკუნეები).

ქ. ჯაფელი. რ. კვერენჩხილაძე

ილუსტრაცია იხ. ჩანართი I—II, გვ 32—33.

სამტრედია, სატრედო, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, დბანისის ხეობაში, მდ. მაშავერის მარცხენა მხარეს. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენებულია XVI ს-ში.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

„სამტრესტი", ახლანდელი საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საკავშირო-რეს პუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი (საქსახ ღვინომრეწვა). სისტემის საწარმოები უშვებ მშრალ სამარკო, მშრალ ორდინარულ, ნა ტურალურ ნახევრადტკბილ, ხელოვნურად შემაგრებულ სამარკო და ორდინარულ ღვი ნოებს. ს-ის პროდუქციაში მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს შამპანური ღვინისა დ კონიაკის წარმოებას, აგრეთვე არყის და მისი ნაწარმის, ნედლი სპირტის, ძმრი სა და სხვა პროდუქტებს.

„ს." ჩამოყალიბდა 1929 „სახალხ მამულების ტრესტის" (დაარსდა 1924 ბაზაზე. 1936 ს. დაექვემდებარა საქ. სს კვების მრეწველობის სახ. კომისარიატ 1975 გარდაიქმნა სამრეწვ. გაერთიანებად ხოლო 1983 — საქ. სსრ ღვინის მრეწველო ბის საკავშ.-რესპ. სახელმწ. კომიტეტად მოიცავს დამოუკიდებელ ბალანსზე მყო 50 საწარმოსა და ორგანიზაციას, მ. შ. საწარმოო გაერთიანებას, 5 კომბინატს და 38 ღვინის ქ-ნას (აქედან 10 რესპ. გა რეთაა).

1983 „ს-ის" ქ-ნებმა გამოუშვეს 24,5 მლნ დკლ ყურძნის ღვინო და 23,1 მლნ. ბოთლ შამპანური, 2031 ათ. დკლ. კონიაკი; შე საბამისად: 11,1; 3,6 და 43,9-ჯერ მეტი ვიდრე 1940; გაფართოვდა ასორტიმენ ტიც; 1983 გამოუშვეს 56 დასახელები ყურძნის ღვინო, 14 დასახელების კონიაკ და 14 დასახელების ლიქიორ-არაყის ნა წარმი. ამაღლდა პროდუქციის ხარისხი „ს." 1954-იდან მუდმივად მონაწილეობ საერთაშ. კონკურსებსა და ბაზრობებზე 33 დასახელების ღვინოს მიღებული აქვ 198 მედალი, მ.შ. 84 ოქროსია და 101 ვერ ცხლისა. კონიაკმა მოიპოვა 46 ოქროს და 13 ვერცხლის მედალი. 1977-იდან შა პანურისა და კონიაკის მთელ პროდუქცია ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს ქართ. ღვინო და კონიაკი იგზავნება ყველ სოციალ. ქვეყანაში, აგრეთვე ფინეთში ბელგიაში, საფრანგეთში, კანადაში, დ ნიაში, გფრ-ში, იაპონიაში, შვეიცარიის და სხვა ქვეყნებში. 1983 უცხოეთში გაიგ ზავნა 99 ათ. დკლ სუფრის ღვინო, 7 ათ. დკლ შამპანური და 61 ათ. დკლ კო ნიაკი.

ჯ. გარუჩავა

სამუელი, ისრაელ ტომთა კავშირის ნა ხევრად ლეგენდარული მმართველი, ბი ბლიის მიხედვით, ხალხის ბრძენი მო

ქვარი, უზენაესი ქურუმი და მსაჯული. ელადი, რ-მაც ქვეყანა აღორძინებისა და პოლიტ. გაერთიანების მძიმე გზაზე დაყენა. ცხოვრობდა ძვ. წ. XI ს. II ნახევარში. გადმოცემით, სხვადასხვა ტომთა წარმომადგენლები მისულან ქ. რამათაიმში და უთქვამთ: „აჰა, შენ დაბერებულ ხარ და ძენი შენნი არა ელენან გზათა შენთა. წე მოგვეც მეფე, რათა სჯიდეს სამართალ-ით, ვითარცა არს სხვაგან“. ს-საც ძალაუფლება *საკლესთვის* (ისრაელ-იუდეველთა ერთიანი მეფე) გადაუცია.

საულსონი პოლ ენტონი, იხ. *სემიუელსონი* პ. ე

საფუძვლო ფონდი სსრკ-ის, ბუნების მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა ერთობლიობა (მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა, ადგილსამდებარეობისა, მასალისა და დამზადების ტექნიკისა), რ-საც სამეცნიერო, პოლიტიკური, ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა აქვს. დებულება ს. ფ-ის შესახებ დამტკიცებულია სსრკ კულტ. სამინისტროს მიერ 1965 წ. 26 ივლ. ს. ფ-ში შედის მუზეუმებში, მუდმივ გამოფენებზე, სამეცნ. და სასწ. დაწესებულებებში, საწარმოებში დაცული ძეგლები, აგრეთვე კოლექციები და ცალკეული გეოლ., პალეონტოლ., არქეოლ., ეთნოგრ. ექსპედიციების მიერ მოგროვებული ნივთები. ამ ძეგლთა გადაღება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შესწავლა, აღწერა და გამოყენება ევალება მუზეუმებს დადგენილი წესის მიხედვით.

1984 სსრკ სამუზეუმო ფონდი ითვლიდა 0 მლნ-ზე მეტ ერთეულს.

საფუილიონოკი ედუარდ ლუდვიგის ძე 23. VII (5. VIII). 1907, პეტერბურგი,— 2. II. 1939, მინსკი], ბელორუსი საბჭ. მწერალი. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა ასახული მის მოთხრობებში „კალენდრუნის თეორია“ (1934) და „ერის გმირი“ (1935). ს-ის რომანი „მომავალი“ (1938) მოგვითხრობს საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარებას. ავტორია პიესებისა „სერჟანტი დრობი“ (1935) და „მგლის ნაფუძარა“ (1938—39). დაჯილდოებულია ორდენით.

ლიტ.: Зелинский К. Л., Белорусский роман о Грузии, [ის წგნ.:] Литературы народов СССР, М., 1957.

საფუკაშვილი ნინო სიმონის ასული (დ. 4. IX. 1914, თელავი), ქართველი საბჭოთა მთარგმნელი. თარგმნის 1948-იდან. ძირითადი თარგმანები: ა. მორაევის „რომანული მოთხრობები“, მ. სერვანტესის „სამოძღვრებო ნოველები“, ჯ. ლაქსნესის „დაუოკიდებელი ადამიანები“, ესა დე კეიროშის „პატრე ამაროს დანაშაული“, მ. ანდერსენ-ნექსეს „დიტე — შვილი ადამის ტომისა“, აგრეთვე ა. კუპრინის, ო. კალინოს, რ. რაიტის, მ. ასტურიასის, ი. ბიტნერის, ო. კახასის, ს. ბარუზდინის საწარმოებები.

საფუი (არაბ.—ხორშაკი, ცხელი ქარი), შრალი, ცხელი ქარი ჩრდ. აფრ. და არაბ. ქვაბნოებში. უმთავრესად ღას. და სამხრ.-ას. მიმართულებისაა, აქვს ძლიერი შკვეთის ხასიათი. გადააქვს დიდი რაოდენობით ქვიშა და მტვერი (მტვერ-ქვიშის ქარიშხალი). უმეტესად გაზაფხულსა და აფხულში იცის.

საფურაები (<არაბ. სამურაუ — მსახურობა). ფეოდალურ იაპონიაში — ფართო გაგებით საერო ფეოდალები მსხვილი მთავრებიდან (დაიმიო) დაწყებული წვრილ ზნაურებამდე; ვიწრო გაგებით — წვრილ ზნაურთა სამხ.-ფეოდ. წოდება. გამოიყო XIII ს. დასაწყისში. ს-ის ყველაზე პრივილეგირებული წოდება ე. წ. ჰატამოტო (იტყვასიტყვით — დროშის ქვეშ) იყო, იგი უშუალოდ *სოგუნის* ვასალად ითვლებოდა. ს-ის ძირითადი მასა ემსახურებოდა ფეოდალებს (დაიმიო) და ხელფასს ნატურით (ბრინჯით) იღებდა. ს-ს ჰქონდათ ორდენი-ბუსიდო. *ტოკუგავას* ფეოდ. სახლის გამგებლობის დროს, როცა ფეოდ. შინაომები შეწყდა, ს-ის სამხ. რაზმებს ძირითადად გლეხთა აჯანყებების ჩასახშობად იყენებდნენ. დაიმიოს აღარ სჭირდებოდა ს-ის დიდი რაზმი და მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. ს-ის ნაწილი იქცა რონინებად (დეკლასირებული ს.). ს-ის წოდების შინაგანი დაშლის პროცესი გაძლიერდა XVIII ს. შუა წლებიდან. ს-მა ხელი მოჰკიდეს ხელოსნობას, ვაჭრობას. რიგითმა ს-მა, რ-ებიც დაკავშირებულნი იყვნენ ბურჟ. ელემენტებთან, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1867—68 დაუმთავრებელ ბურჟ. რევოლუციაში (იხ. *მეიძი ისინი*). რევ. შემდეგ ს-ის წოდება გაუქმდა. ტერმ. „ს.“ ხშირად იხმარება იაპ. მხედრიონის აღსანიშნავად.

საფურავი (Gulo gulo), მტაცებელი ძუძუმწოვარი *ქვერნისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 70—105 *სმ*. მასა 11—19 *კგ* აღწევს. აქვს მასიური სხეული, მძლავრი ფართო თათები, შედარებით პატარა თავი, პატარა მომრგვალო ყურები, ხშირი, გრძელი ბეწვი. შეფერილობა — ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფერამდე. კუდის ფუძიდან სხეულის გვერდებისაკენ გასდევს ფართო ცვილისფერი ზოლი. ს. გავრცელებულია ევრ., აზიისა და ჩრდ. ამერ. ტაიგასა და ტუნდრაში. გვხვდება ერთეულებად. იკვებება ლეშით (რითაც სარგებლობა მოაქვს), აგრეთვე თაფლ ესხმის ჩლიქოსნებს, ფრინველებსა და თაგვისებრ მღრღნელებს. ჩრდილოეთის ხალხები ს-ის ბეწვს ჭურქად იყენებენ, მფრინავები და კოსმონავტები— კოსტიუმებისათვის.

საფურზაყანო, ისტორიული მხარე დას. საქართველოში, აფხაზეთში. როგორც პოლიტ. ერთეული ჩამოყალიბდა XVII — XVIII სს. მიჯნაზე. მოიცავდა ძირითადად ახლანდელი გალის რ-ნის ტერიტორიას. 1705 მემკვიდრეობით მიიღო მურზაყან *შარვაშიძემ*, რ-ის სახელისგანაცაა ნაწარმოები მხარის სახელწოდება. 1805 შეივიდა რუს. მფარველობაში. 1813—40 ლევან V დადიანს ექვემდებარებოდა. 1840 რუს. ხელისუფლებამ *სამეგრელოს* (ოდიშის) *სამთავროს* სუვერენიტეტისაგან გამოისყიდა და ს-ს საბოქაულო დააარსა. 1857 სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მმართველს დაუქვემდებარეს. 1864-იდან სოხუმის (აფხაზეთის) სამხედრო განყ-ბის შემადგენლობაში იყო, 1883-იდან სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში ს-ს უბნის სახელწოდებით.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთა ცხოვრება, შ. ბურდჯანაძის გამოც., თბ., 1962; Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 2, Тфл., 1868.

ლიტ.: Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сух., 1959; Очерки истории Абхазской АССР, ч. 1, Сух., 1960

საფურზაყანოს დაბლობი, ვაკე-დაბლობი დას. საქართველოში, კოლხეთის დაბლობის ჩრდ.-დას. ნაწილი. სახელი ეწოდა სამურზაყანოს ისტ.-ეთნოგრ. პროვინციის მიხედვით, მაგრამ ფიზ.-გეოგრაფიულად მოიცავს უფრო ვრცელ ტერიტორიას — მდ-ებს ენგურსა და კელასურს შორის. დაბლობი აგებულია მეოთხეული ფხვიერი ალუვიური ნალექებით (რიყნარი, ქვიშები, თიხები). დაბლობის შავიზღვისპირა ზოლი დაბალია და მეტწილად დაჭაობებული, პერიფერიული ამაღლებული ნაწილი უფრო დრენირებულია. დაბლობისთვის დამახასიათებელია თბილი და თანაბარნესტიანი ჰავა, ხშირი ჰიდროგრ. ქსელი, ტენიანი ტერიტორიისათვის ნიშანდობლივი ნიადაგები და კოლხური მცენარეულობა; კოლხური ტიპის ლანდშაფტები. *დ. უკლება.*

საფური, მდინარე დაღ. ასსრ-სა და ნაწილობრივ აზერბ. სსრ საზღვარზე. სიგრძე 213 *კმ*, აუზის ფართ. 7330 *კმ*². სათავე აქვს გუთნის მთის კალთაზე (კავკასიონი). ზემოთში ღრმა და ვიწრო ხეობაში მიედინება. ერთვის კასპიის ზღვას და აჩენს დელტას. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყალდიდობა იცის მარტის ბოლოდან აგვ-მდე წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 20 *კმ*-ზე 75 $მ^3/წმ$. ს-იდან გაყვანილია სამურ—აფშერონისა და სამურ—დერბენდის არხები.

საფურის ქედი, ქედი კავკასიონზე, დაღ. ასსრ-ის სამხრ-ში. შედის გვერდითი ქედის სისტემაში. გადაჭიმულია დიულთიდაღის ქედიდან აღმ.-სამხრ.-აღმ-ით მდ. სამურის მარცხ. ნაპირის გასწვრივ 115 *კმ*-ზე. სიმაღლე 3801 *მ*-მდე (მთა ალახუნდაღი). უმთავრესად აგებულია თიხაფიქლებით. თხემი თითქმის გაშიშვლებულია, ქვემოთ და აღმ-ით გაბატონებულია ალპ. და სუბალპ. მდელოები და მდელოსტეპი, აღმ. ნაწილში ფართოფოთლოვანი ტყის უბნებია.

საფუსიკო განათლება, მუსიკალური ხელოვნების სფეროში პროფესიონალების— კომპოზიტორების, მუსიკისმცოდნეების, შემსრულებლების (მომღერლები, ინსტრუმენტალისტები, ორკესტრისა და გუნდის დირიჟორები), პედაგოგების მომზადების სისტემა. ს. გ-ს საფუძველი ჩაეყარა ძვ. აღმ. ქვეყნებში, ანტ. საბერძნეთში. შუა საუკ. ევროპაში ს. გ-ის კერები ყალიბდებოდა ქრისტ. ეკლესიებთან. XV ს-ში ნიდერლანდსა და საფრანგეთში დაარსდა სპეც. საგუნდო სკოლები (მეტრიზები), სადაც ასწავლიდნენ სიმღერას, ორგანზე დაკვრას, მუსიკის თეორიას (აქ აღიზარდნენ გამოჩენილი კომპოზიტორ-პოლიფონისტები გ. დიუფაი, ი. ობრეხტი, ი. ოკეგემი და სხვ.), საერო მუსიკის განვითარებამ ხელი შეუწყო ს. გ-ის ახ. კერების შექმნას (მაისტერზინგერთა სკოლები, სამომღერლო საზ-ებები, მუსიკოს-ინსტრუმენტალისტთა საამქროები). ს. გ. განსაკუთრებით განვითარდა რენესანსის ეპოქაში, როდესაც თეატრებისა და ორკესტრების მომრავლების გამო საჭირო გახდა პროფესიონალი მუსიკოსების აღზრდა. XVII ს-ში იტალიაში ს. გ-ის კერები იყო ბავშვთა თავშესაფრები, რ-საც კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ ი ე ბ ი ეწოდებოდა. თანამედროვე სახის პირველი კონსერვატორია დაარსდა პარიზში (1795). XIX—XX სს-ში კონსერვატორიები გაიხსნა ევრ. თითქმის ყველა ქვეყანაში, სამხრ. ამერ. და აშშ-ის დიდ ქ-ებში. ზოგ ქვეყანაში (იტალია, გერმანია, ინგლისი, უნგრეთი) კონსერვატორიას ჰქვია აკადემია, ლიცეუმი, უმაღლესი სკოლა.

რუსეთში ს. გ-ის უძველესი კერები იყო ეკლესიებთან არსებული საღვთისმსახურო სამგალობლო სკოლები, სადაც საგუნდო ხელოვნება ვითარდებოდა. XI ს-ში ასეთი სკოლები იყო სმოლენსკში, ნოვგოროდში, ვლადიმირში. XVIII ს. I ნახევრიდან რუსეთში საფუძველი ჩაეყარა პროფ. ს. გ-ის სისტემას, რასაც ბიძგი მისცა სამეფო კართან არსებულმა მუს. კოლექტივებმა (ოპერის თეატრი, საგუნდო კაპელა, ორკესტრი). პეტერბურგში დაარსდა „ინსტრუმენტული კლასი“ (1741), გლუხოვში საკარო კაპელის მომღერალთა ალსაზრდელი სკოლა (1741). XVIII ს. მიწურულში ს. გ-მ ფეხი მოიკიდა მოსკ. უნტში, სმოლნის ინ-ტში, მოსკ. და პეტერბ. სხვა სასწ. კერებში. დაარსდა პეტერბ. (1862) და მოსკ. (1866) კონსერვატორიები.

სსრკ-ში შექმნილია ს. გ-ის სისტემა: საბავშვო სამუსიკო სკოლები (მოზარდებს აძლევენ დაწყებით სამუსიკო ცოდნას), სამუსიკო სასწავლებლები (ამზადებენ პროფესიონალთა კადრებს საშ. სამუს. განათლებით), სპეც. სამუსიკო სკოლები (იძლევა ზოგად საშ. ს. გ-ს), კონსერვატორიები, ხელოვნ. ინ-ტები (ზრდიან უმაღლესი ს. გ-ის სპეციალისტებს). უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელთან არსებობს ასპირანტურა და ასისტენტურა. 1984 სსრკ-ში იყო 7 ათ-მდე დაწყებითი სამუსიკო სკოლა, 250-მდე სამუსიკო სასწავლებელი, 40-მდე

საშ. სპეც. სამუსიკო სკოლა, 34 უმაღლესი სასწავლებელი. დაწყ. სამუსიკო სკოლებში 1 მლნ-ზე მეტი, სამუსიკო სასწავლებლებში — 105 ათ-ზე მეტი, საშ. სპეც. სამუსიკო სკოლებში — 14 ათ-მდე მოსწავლე, უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებში — 23 ათ-მდე სტუდენტი.

საბჭ. ს. მ-ს ემსახურება საბავშვო ფილარმონიები და საგუნდო სტუდიები, სახ. უნ-ტები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, სასწ. საგანი „მუსიკა“ შეტანილია ზოგადსაგანმან. სკოლების I—VIII კლასების სასწ. პროგრამებში.

საქართველოში პროფ. ს. მ-ს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართ. ხალხ. მუსიკის (სას. და საერო) განვითარებასთან. აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ თუ უწინარეს არა, IX ს-ში მაინც უკვე ყოფილა გალობის სწავლების მოძღვრება, რ-საც „ხმითა სასწავლებელი სწავლად“ ეწოდებოდა, ძვ. ქართ. ეკლესიებსა და მონასტრებში [მცხეთაში, თბილისში, გელათში, იყალთოში, აგრეთვე ქართ. კულტ. საზღვარგარეთულ ცენტრებში — იერუსალიმში, სინის მთაზე, ათონში, შავ მთაზე (სირია), პეტრიწონში (ბულგარეთი) და სხვ.], სადაც დიდი ადგილი ეთმობოდა სოლო და საგუნდო სიმღერებს, მათ შესწავლა-შესრულებას. ამ კერებში მოღვაწეობდნენ საგუნდო კაპელები, იქმნებოდა საგალობლები, იზრდებოდნენ გუნდის მომღერლები და ხელმძღვანელები.

IX—XIII სს-ში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ჰიმნოგრაფები, რ-ებიც წარმართავდნენ ქართ. პროფ. მუს. კულტ. განვითარებას. მ. შ. იყვნენ *გიორგი მთაწმიდელი, ექვთიმე მთაწმიდელი, იოანე მტბევარი, სტეფანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი, არსენ იყალთოელი, იოანე მინჩხი*. შეიქმნა ქართ. ნევმური (სანოტო) სისტემა, რ-ის შემწეობითაც მოხერხდა ქართ. საგალობლების ჩაწერა. შემორჩენილია რამდენიმე კრებული (მ. შ. ყველაზე ადრინდელი თარიღდება X ს-ით), შედგენილი მიქაელ მოდრეკილის მიერ. ამ კრებულებით მტკიცდება, რომ ქართველებს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონიათ საფუძვლიანად დამუშავებული მუსიკის თეორია და თავისუფლად კითხულობდნენ მუს. ტექსტს ნოტების მიხედვით. პროფ. ს. მ-ის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს ეროვნ. სამუსიკო ტერმინოლოგიაც. საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა ქართ. საერო მუსიკა, რ-იც ზეპირი გადაცემით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. სხვადასხვა ჟანრის მრავალხმიანი ქართ. ხალხ. სიმღერები მოწმობს, რომ მათი ავტორები ჭეშმარიტი პროფესიონალები იყვნენ. ქართ. მუს. ხელოვნ. განვითარება მრავალგზის შეუწყვეტია უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს. XVIII ს-ში აღინიშნება ქართ. მუს. კულტ. აღმავლობა. მუსიკის სწავლებას სათანადო ადგილი ეთმობოდა სას. სემინარიებში (თბილისი, თელავი), მეტეხის, სიონის, ქაშვეთის, ანჩისხატის, კალოუბნის, ნეკრესის ეკლესიებთან არსებულ სამგალობლო სკოლებში.

რუსეთთან შეერთების (1801) შედეგად საქართველოში თანდათან გავრცელდა ევრ. და რუს. მუსიკის ტრადიციები, ბიძგი მიეცა პროფ. ს. მ-ის სხვადასხვა ფორმის განვითარებას. 20-იანი წლებიდან თბილისში დაარსდა კერძო სამუსიკო კლასები. 40-იანი წლებიდან მუსიკას ასწავლიდნენ *ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტსა* და *თბილისის პირველ გიმნაზიაში*. ორი ათეული წლის შემდეგ სამუსიკო კლასები დაარსდა ქალთა პროგიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში; ქალთა სასწავლებლებში ასწავლიდნენ ფორტეპიანოზე დაკვრასა და მუსიკის ელემენტარულ თეორიას, ვაჟთა სასწავლებლებში კი—სხვადასხვა საორკესტრო ინსტრუმენტზე (ვიოლინო, ჩელო, ლიტონისა და ხის ჩასაბერი ინსტრუმენტები) დაკვრას. ყოველ სასწავლებელთან არსებობდა მოსწავლეთა გუნდი, რ-ებიც ასრულებდნენ ქართ. ხალხ. სიმღერა-საგალობლებს, ევრ. და რუს. პროფ. მუს. ნაწარმოებებს.

1871 თბილისში გაიხსნა „კავკასიის საზოგადოების“ სამუსიკო სკოლა. 1873-იდან ეროვნ. სამუსიკო კადრების აღზრდის მთავარ კერად იქცა ხ. სავანელის, ა. მიზანდარის, კ. ალიხანოვის სამუსიკო კლასები, რ-თა საფუძველზეც 1876 ჩამოყალიბდა სამუსიკო სკოლა, 1886 — სამუსიკო სასწავლებელი, რ-საც სათავეში ჩაუდგა მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ხოლო 1917 სასწავლებელი გადაკეთდა *თბილისის კონსერვატორიად*.

ეროვნ. სამუსიკო კადრების აღზრდის შესანიშნავ კერად იქცა *თბილისის ქართული გიმნაზია*, რ-შიც ჩამოყალიბდა სპეც. სამუსიკო კურსები, სადაც მოსწავლეები ნებისმიერ საკრავზე დაკვრას ეუფლებოდნენ. გიმნაზიაში მუსიკას ასწავლიდნენ ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ზ. ჩხიკვაძე, ა. ყარაშვილი და სხვ. გიმნაზიას ჰყავდა თავისი გუნდი და სიმებიანი ორკესტრი, მოგვიანებით ჩამოყალიბდა სიმებიანი კვარტეტიც. გიმნაზიის კედლებში მრავალი ცნობილი მუსიკოსი აღიზარდა, მ. შ. იყვნენ გ. კილაძე, ი. ტუსკია, გ. ჩხიკვაძე, ლ. დონაძე, შ. ასლანიშვილი, ლ. იაშვილი, მ. ძიძიშვილი და სხვ. 1905 თბილისში დაარსდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“. 1908 ფილარმონიასთან გაიხსნა სამუსიკო სკოლა, რ-ის დირექტორად დაინიშნა ზ. ფალიაშვილი.

ოქტ. რევ. შემდეგ საქართველოში ფართოდ განვითარდა ს. მ-ის სახელმწ. სისტემა. უკვე 20-იანი წწ. დამდეგს თბილისში იყო 9 სამუსიკო სკოლა, 4 სამუსიკო სასწავლებელი; სამუსიკო სასწავლებლები გაიხსნა აგრეთვე სხვა ქალაქებსა და რ-ნულ ცენტრებში (ქუთაისი, ბათუმი, თელავი, გორი და სხვა), საგრძნობლად ამაღლდა თბილისის კონსერვატორიის პროფ.-აკად. დონე. 1921 თბილისში გაიხსნა მეორე კონსერვატორია (ორგანიზატორი და დირექტორი დ. არაყიშვილი). 1923—24 ორივე კონსერვატორია გადაკეთდა თბილ. სახელმწიფო კონსერვატორიად.

1984 ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობდა 142 დაწყ. სამუსიკო სკოლა (სწავლობდა 38,4 ათ. მოსწ.), 12 საშ. სამუსიკო სასწავლებელი (3 ათ-მდე მოსწ.), ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა (200 მოსწ.), თბილ. კონსერვ. ქუთ. ფილიალი (300 სტუდენტი), თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (1000-მდე სტუდენტი).

მ. აბაშიძელი.

„სამუსლიმანო საქართველო“, ყოველდღიური ქართული პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანო; გამოდიოდა 1919—21 ბათუმში. აშუქებდა მაჰმადიან ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებისა და საქართვ. გაერთიანების საკითხებს. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ ჰ. ხიმშიაშვილი და მ. აბაშიძე.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, ქართველ მაჰმადიანთა მიერ საქართველოსთან აჭარის შესაერთებლად შექმნილი ორგანიზაცია. 1918 აპრ. ბათუმში თურქ. საოკუპაციო ჯარის შესვლის შემდეგ პროგრ. მოღვაწეებმა აჭარა დატოვეს. ისინი თბილისში ჩავიდნენ. ამ პერიოდში თბილისში დაარსდა ს. ს. მ. კ., რ-ის თავ-რედ აირჩიეს მ. აბაშიძე. წევრებად: ჰ. აბაშიძე (მოადგილე), ს. დიასამიძე (მდივანი), მ. თხილაიშვილი, კ. შერვაშიძე, ზ. აბაშიძე, ს. ბაჟანიძე, ქ. ნოღაიდელი, ი. ქათამაძე და სხვ.

ს. ს. მ. კ-ის მიზანი იყო აჭარის შეერთება საქართველოსთან, აჭარის მოსახლეობაში ქართ. ეროვნ. შეგნების განტკიცება, პანისლამისტებისა და სედაიმლეტეების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. კომიტეტის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ინგლ. საოკუპაციო ხელისუფლება, ოსმ. ლოფილები (სედაიმილეთელები), მუსავატელები, დაშნაკები, დენიკინელები და სხვ. რეაქციონერები. აჭარის ან მესხეთის მოსახლეობასთან დასაახლოებლად და მათში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გა საშლელად კომიტეტმა თავისი განყ-ბები შექმნა ოზურგეთსა და ახალციხეში; კომიტეტმა აჭარის მოსახლეობაში დიდი მუშაობა გასწია ოსმალთა საოკუპაციო ხელისუფლების, პანისლამისტურ-რეაქციული არსის, ინგლ. კოლონიური პოლიტიკის და დენიკინელთა შავრაზმული მისწრაფებების წინააღმდეგ. ოსმალთა დამარცხების შემდეგ ცენტრი თბილისიდან ბათუმში გადაიტანეს. კომიტეტმა 1919 დაარსა თავისი ორგანო — გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, რ-მაც ბევრი მოწოდება და პროკლამაცია გამოსცა. 1919 წ. 31 აგვ. ს. მ. კ-მა მოიწვია ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რ-მაც აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის (პარლამენტის) მ. აბაშიძის თავ-რეობით, ერთმად დაადგინა საქართველოსთან აჭარის შეერთება ავტონომიის საფუძველზე და გაგზავნა თავისი დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციაზე. კომიტეტი და მისი შემადგენლობა აჭარის შეერთებას საქართველოსთან დიდი მოწონებით შეხვდა. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ აჭარას ავტონომია არ მისცა. მენშევიკური მთავრობის რწმუნებული აჭარაში კომიტეტს ავიწროებდა. გაზეთი დახურეს. კომიტეტი ებრძოდა მენშევიკების ასეთ პოლიტიკას. ს. ს. მ. კ-მა (შემდეგში მეჯლისი) 1921 მაისამდე იარსება.

სამუშაო ადგილის ორგანიზაცია ღონისძიებათა სისტემა, რ-იც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის სპეციალიზაციას საჭირო შრომის საგნებითა და იარაღებით, უსაფრთხოების ტექნიკის საშუალებებით მის აღჭურვას, ამ უკანასკნელთა განსაზღვრული წესითა და რიგით განლაგებას, ერგონომიკულ მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმება-დაგეგმარებას, სამუშაო ადგილის ყველა პარამეტრის ადამიანის ფსიქოფიზიოლ. თავისებურებებთან მისადაგებას და შრომის კეთილსასურველ გარემო პირობების შექმნას. ს. ა. ო-ი მიზანია მაღალმწარმოებლური, უსაფრთხო და მიმზიდველი შრომისათვის აუცილებელი ყველა პირობის უზრუნველყოფა. ს. ა. ო. ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, წარმოების დარგსა და ტიპზე (ერთეული, წვრილსერიული, სერიული, მსხვილსერიული, მასობრივი) გამოყენებული ტექ. და ტექნოლ. პროცესების თავისებურებებზე. შრომის ხასიათზე (ფიზ. და გონებრივი, მრავალფეროვანი და მონოტონური, მსუბუქი და მძიმე შრომა და სხვ.), შრომის დანაწილების და კოოპერირების დონეზე, სამუშაოს მოცულობაზე, ოპერაციების რაოდენობას და შესრულების თანამიმდევრობაზე, მწყობრილობის რაოდენობასა და გაბარიტებზე, შრომის პირობებზე და სხვ. ს. ა. ო-ისას აუცილებელია წარმოებისა და შრომის პროცესების ამ თავისებურებათა გათვალისწინება.

ს. ა. ო-ის დაპროექტება მრავალი სა კითხის შესწავლასა და გადაწყვეტას მო ითხოვს. მათგან მთავარია: შრომის შინა არსი სამუშაო ადგილზე, სამუშაო ადგილი სპეციალიზაციის დონე, შრომის მეთოდები და ილეთები, შრომის ორგანიზაციის ფორმა, მუშაობის მდგომარეობა და ზო ნა, ძირითადი ტექნოლ. და ტექნოლ. და ორგანიზაციუ ლი აღჭურვილობა, სამუშაო ადგილის და გეგმარება, მომსახურებისა და მართვი სამსახურთან კავშირურთიერთობის საშუ ალებები და სხვ.

ვ. გურგენიძე.

სამუშაოდან დათხოვნა, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მუშის ან მოსამსახურის განთავისუფლება სამუშაოდან; შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა. ს. დ-ის საერთო საფუძვლებია შრომის ხელშეკრულების მხარეთა (მუშის ან მოსამსახურისა და ადმინისტრაციის) შეთანხმება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა; მუშის ან მოსამსახურის გაწვევა ან შესვლა სამხ. სამსახურში; შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით, ადმინისტრაციის ინიციატივით ან პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით და საქ. სსრ შრომის კანონთა კოდექსში გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით (მ. 30).

მუშაკს უფლება აქვს მოშალოს განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, რისთვისაც ვალდებულია ამის შესახებ წერილობით გააფრთხილოს ადმინისტრაცია ერთი თვით ადრე (მ. 32), თუ მიზეზი არასაპატიოა, 2 თვით ადრე.

ადმ. ინიციატივით მუშაკის ს. დ. შეიძლებელია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა რაოდენობისა თუ შტატის შემცირების გამო; თუ გამოვლინდება, რომ მუშა ან მოსამსახურე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას ან ვერ ასრულებს სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; მუშის ან მოსამსახურის მიერ არასაპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის გამო, თუ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზ. ზემოქმედების ღონისძიებანი; არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის (მ. შ. სამუშაო დღის განმავლობაში 3 საათზე მეტხანს არყოფნა), სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გაჩოცხადების გამო და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მ. 34, 35).

ადმ. ინიციატივით მუშაკის ს. დ. დაუშვებელია პროფკავშირის ადგილ. კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე (სსრკ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა).

პროფკავშ. ორგანოს (არანაკლებ რაიონულისა) მოთხოვნით ადმინისტრაცია ვალდებულია გაათავისუფლოს ხელმძღვანელი მუშაკი, თუ ის არღვევს შრომის კანონმდებლობას, არ ასრულებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იჩენს ბიუროკრატიზმს, აჭიანურებს საქმეს (მ. 39). *ლ. ადეიშვილი.*

სამუშაო დრო, დრო, რ-ის განმავლობაში მუშაკი საწარმოში (ორგანიზაციაში, დაწესებულებაში) ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მუშა-მოსამსახურეთა ს. დ-ის ხანგრძლივობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული. სსრკ-ში იგი შეადგენს 7 *სთ* (42-საათიანი სამუშაო კვირისათვის) შრომის ნორმალური პირობების მქონე სამუშაოებზე. სამრეწვ. საწარმოთა უმრავლესობა მუშაობს ხუთდღიანი სამუშაო კვირით (სამუშაო დღის ხანგრძლივობა 8, 12 *სთ*). ს. დ-ის რაციონალური გამოყენება თითოეული მუშაკის კონსტიტ. მოვალეობაა და რეგულირდება საწარმოს (ორგანიზაციის, დაწესებულების) შინაგანაწესით. ს. დ. იყოფა მუშაობის დროდ და მისი შეწყვეტის დროდ. მუშაობის დრო შედგება ოპერატ. დროისაგან, სამუშაო ადგილის მომსახურების დროისა და მოსამზადებელ-დამამთავრებელი დროისაგან; მუშაობის შეწყვეტის დრო ორი ხასიათისაა: რეგლამენტირებული (განპირობებული წარმოების ორგანიზაციითა და ტექნოლოგიით, მუშის დასვენებითა და პირადი საჭიროებით) და არარეგლამენტირებული (გამოწვეული შეფერხებებით წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში, მუშის მიზეზით). ს. დ-ის გამოყენების კოეფიციენტი გამოისახება შემდეგი თანაფარდობით:

მუშაობის დრო + რეგლამენტირებული შეწყვეტები

ცვლის დროის ფონდი

მუშაკის მიერ ს. დ-ის არარაციონალური გამოყენება კლასიფიცირდება, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა. *მ. ნარგიზაშვილი.*

სამუშაო დროის ფონდი, განსაზღვრული კალენდარული პერიოდის (წლის, კვარტალის, თვის) განმავლობაში ერთი მუშის მუშაობის გეგმური დრო. მისი განგარიშების საფუძველია კალენდარული დროის ფონდი. ამა თუ იმ პერიოდის კალენდარულ დღეთა რაოდენობა გვიჩვენებს კალენდარული დროის ფონდს. თუ კალენდარულ დროის ფონდს გამოვაკლებთ გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებს, მივიღებთ ნომინალური დროის ფონდს. ნომინალური დროის ფონდიდან გამოუცხადებლობის დღეთა გამოკლება კი გვაძლევს ს. დ. ფ-ს. გამოუცხადებლობის მიზეზები სსრკ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მიერ დაჯგუფებულია შემდეგნაირად: ა) ძირითადი და დამატებითი შვებულებები, ბ) სწავლასთან დაკავშირებული შვებულებები, გ) დეკრეტული შვებულებები, დ) ავადმყოფობა, ე) კანონით დაშვებული გაცდენები, ვ) მთელდღიური მოცდენები. ს. დ. ფ-ის გამოყენების მაჩვენებელს გაიანგარიშებენ ფორმულით:

ნამუშევარ დღეთა რიცხვი (კაცდღე)

კალენდარული დროის ფონდი (კაცდღე)

ს. დ. ფ-ის რაციონალური გამოყენება ნიშნავს ცვლის შიდა დანაკარგებისა და გამოუცხადებლობის დღეთა რიცხვის შემცირებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამკურნ.-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით მუშაკთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, რაც ავადმყოფობის მიზეზით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემცირების საფუძველია. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შრომის დისციპლინის განმტკიცებას. *მ. ნარგიზაშვილი.*

სამუშაო დღე, დღე-ღამის ნაწილი, რ-ის განმავლობაში მშრომელი მუშაობს საწარმოში ან დაწესებულებაში. ს. დ-ს აქვს ფიზ. (დახარჯული ენერგიის აღდგენის აუცილებლობით გარკვეული) და მორალური (მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით გარკვეული) საზღვრები. ს. დ-ის სოც. ბუნება განპირობებულია გაბატონებული *წარმოებითი ურთიერთობით.* ს. დ. იყოფა აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ (იხ. *აუცილებელი შრომა, ზედმეტი შრომა*). ეს დაყოფა კაპიტალიზმის პირობებში ანტაგონისტურ ხასიათს ატარებს (იხ. *ზედმეტი ღირებულება*). კაპიტალიზმის ადრინდელ სტადიებზე ს. დ. ძალიან ხანგრძლივი იყო (12—18 სთ.). XX ს. დასაწყისში მრავალ კაპიტ. ქვეყანაში დადგინდა 10—12 სთ-იანი ს. დ. 1866 მუშათა კონგრესზე ამერიკაში და I ინტერნაციონალის კონგრესზე წამოაყენეს 8-სთ-იანი ს. დ-ის მოთხოვნა. ეს მოთხოვნა შეივიდა აგრეთვე რსდმპ-ის პროგრამაში (1903). 1917 ოქტ. რევოლუციისა და რევოლ. მოძრაობის გავლენით კაპიტალ. ქვეყნის წარმომადგენლები ვაშინგტონში შეთანხმდნენ 8-საათიანი ს. დ-ის შემოღებაზე (1919), რაც ხშირად ირღვევა.

სოციალიზმის დროს მთელი ს. დ. ხმარდება მშრომელთა ინტერესებს. ს. დ-ის შემცირება სოციალ. საზ-ბის ერთ-ერთი კანონზომიერებაა და ემსახურება თავისუფალი დროის გადიდებას. *მ. ნარგიზაშვილი.*

სამუშაო დღის ფოტოგრაფია, იხ. *შრომის ნორმირება.*

სამუშაოზე მიღება, იხ. სტ. *შრომითი ხელშეკრულება.*

სამუშაო ზონა, სამუშაო ადგილის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში ხელით მისაწვდომი ზონით შემოფარგლული სამგანზომილებიანი (სიგრძე, სიმაღლე, სიგანე) სივრცის მონაკვეთი. ჰორიზ. და ვერტ. სიბრტყეში მთლიანად გაშლილი ორივე ხელის თითებით შემოხაზული რკალის შესაბამის სივრცეს მიწვდომის მაქს. ზონა ეწოდება და იგი სამუშაო ზონის მაქს. საზღვარია. ხოლო იმ სივრცეს, რ-საც იდაყვში მოღუნული ხელის გაშლილი თითები ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად შემოხაზავენ, მიწვდომის ნორმალური ზონა ეწოდება.

ვ. გურგენიძე.


სამუშაო კვირა, 1. კალენდარული კვირის განმავლობაში შრომის ხანგრძლივობის კანონით დადგენილი სიდიდე. 2. სამუშაო დროის რეჟიმი, რ-იც განსაზღვრავს სამუშაო და გამოსასვლელი დღეების რაოდენობას, კალენდარულ კვირაში. ს. კ-ის გახანგრძლივება სსრკ-ში სამუშაოდ 40,6 *სთ*-ით განისაზღვრება. ამჟამად, სსრკ სახ. მეურნეობაში მუშაობა ხორციელდება ძირითადად ხუთდღიანი ს. კ-ის რეჟიმით. *მ. ნარგიზაშვილი.*

სამუშაო პერიოდი, იხ. *წარმოებითი ფონდების ბრუნვა.*

სამუშაო სახლები (ინგლ. **workhouses**), ღარიბთა თავშესაფრები XVII—XIX სს. ინგლისში. თავდაპირველად ს. ს. ადგილ. ეკლესიის სამწყსოს განმგებლობაში იყო. პაუპერიზაციის ზრდისა და სამრეწვ. გადატრიალების პერიოდში მოხდა ს. ს-ის სისტემის ცენტრალიზაცია (1834 კანონი). ს. ს-ში ძალდატანებით ათავსებდნენ ყველას, ვინც საზ. დახმარებას მოითხოვდა. ს. ს-ში მოხვედრის შიში აიძულებდა ღარიბებს დათანხმებულიყვნენ შრომის ყოველგვარ პირობებზე, რაც მეწარმეებს ხელფასის შემცირების საშუალებას აძლევდა, ხალხი ანგრევდა ს. ს-ს. ჩარტისტებმა თავიანთ 1842 პეტიციაში შეიტანეს მუხლი ს. ს-ის გაუქმების შესახებ. XX ს-ში სოც. უზრუნველყოფის განვითარებასთან ერთად ს. ს-ის სიტემა მოისპო.

სამუშაო ძალა, შრომისუნარიანობა, ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარის ერთობლიობა, რ-საც იგი იყენებს მატერიალური დოვლათის საწარმოებლად. ს. ძ. ყოველ წარმოების წესში წარმოების მთავარი პირობაა, იგი ვითარდება შრომით საქმიანობის პროცესში, რ-ის დროს ადამიანი სრულყოფს თავის წარმოებრივ გამოცდილებასა და შრომით ჩვევებს, აგროვებს თეორ. და ტექ. ცოდნას. ს. ძ-ის ფუნქციონირების სოც.-ეკონ. პირობაა ს. ძ-ისა და წარმოების საშუალებების შეერთების წესი. კაპიტალიზმის დროს ს. ძ. გარდაიქმნება საქონლად და ამასთან დაკავშირებით საქონელწარმოება ღებულობს საყოველთაო ხასიათს. ს. ძ. რომ საქონლად იქცეს, აუცილებელია ორი პირობა: 1. პიროვნების პირადი თავისუფლება; 2. ს. ძ-ის მფლობელს არ უნდა ჰქონდეს წარმოების საშუალებები (იხ. *კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება*). კაპიტალიზმის პირობებში ს. ძ-ს, როგორც საქონელს, აქვს *ღირებულება* და *სახმარი ღირებულება*. „სამუშაო ძალის ღირებულება, მსგავსად ყველა სხვა საქონლის ღირებულებისა, განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რომელიც აუცილებელია ამ სპეციფიკური საქონლის წარმოებისათვის, მაშასადამე, მისი კვლავწარმოებისათვისაც (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 218). ყველა სხვა საქონლისაგან განსხვავებით, ს. ძ-ის ღირებულების განსაზღვრა ისტ. და მორალურ ელემენტს შეიცავს. ს. ძ-ის სახმარი ღირებულება ვლინდება *ზედმეტი ღირებულების* შექმნაში.

კაპიტალ. საზ-ბაში ს. ძ-ის ღირებულება იღებს *ხელფასის* გარდაქმნილ ფორმას.



სამფაზიანი წრედი: სამფაზიანი წრედები ვარსკვლავისებურად (ა, ბ, გ,) და სამკუთხედად (დ, ე) შეერთებული გენერატორების მქონე; ვარსკვლავისებურად (ა, ბ, დ) და სამკუთხედად (გ, ე) შეერთებული დატვირთვის ფაზების მქონე; ნულოვანი სადენის მქონე (ა) და მის გარეშე (გ); A, B, C—ხაზის სადენები; O—ნულოვანი სადენი; გ—გენერატორი; $U_ხ$ და $U_ფ$ — ხაზური და ფაზური ძრავები; $I_ხ$ და $I_ფ$ —ხაზური და ფაზური დენის ძალები.

სოციალ. საზ-ბაში ს. ძ. არ იღებს საქონლის ფორმას წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების ბატონობის გამო. ამასთან, სოციალიზმის დროს შენარჩუნებულია ს. ძ-ის დაქირავების ფორმა (იხ. *შრომის მიხედვით განაწილების კანონი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები*).

ჯ. კახნიაშვილი.

სამუშაო ძალის დენადობა, სამუშაო ბალის გადაადგილების პროცესი ერთი საწარმოდან, დარგიდან, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რ-ნიდან მეორეში, რაც არ ექვემდებარება რეგულირებას; მას საფუძვლად უდევს მუშაკთა პირადი სურვილი ან შრომის დისციპლინის დარღვევა. ს. ძ. დ-ის დასახასიათებლად იყენებენ დენადობის კოეფიციენტს, რ-საც გაიანგარიშებენ საწარმოდან საკუთარი სურვილით წასულ და ადმინისტრაციის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამო განთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვის შეფარდებით მუშაკთა საშ. რიცხვთან, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ. საზ-ბაში მუშახელის მომზადება, სამუშაოზე განაწილება და მოწყობა ძირითადად გეგმაზომიერად ხორციელდება, ს. ძ. დ., ჯერ კიდევ, ალმოუფხვრელი არ არის. იგი გარკვეულ ზიანს აყენებს საწარმოს, საზ-ბისა და თვით მუშაკის ინტერესებს. კადრების დენადობის მთავარი მიზეზებია: შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებები, საბინაო და საყოფაცხოვრებო მომსახურების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ხარვეზები კადრების კვალიფიციურ ზრდასა და შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში.

მ. ნარგიზაშვილი.


სამუშაო ძალის კვლავწარმოება, იხ. *ალწარმოება.*

სამუშაო ძალის ღირებულება, იხ. *სამუშაო ძალა.*

სამუხა (ხეთური Š-mu-ḫa), ქალაქი ხეთების სამეფოს ადმ. პერიფერიაში. ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. ხეთური წყაროებით, მდებარეობდა „ზემო ქვეყნის" მეზობლად, ზემო ჰალისისა და ზემო ევფრატის შუამდინარეთში (მალათიასთან). მოხსენიებულია ჯერ კიდევ კაპადოკიურ ლურსმულ ფირფიტებში (ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისი), რ-თა მიხედვით, ს-ში ფუნქციონირებდა სასახლე და არსებობდა ასურელთა სავაჭრო ფაქტორია „ვაბართუმი" (wabartum). ხეთურ ხანაში ხურიტების მძლავრ გაელენას განიცდიდა (როგორც ჩანს, ხურიტებთან ტერიტორიული სიახლოვის გამო). ს-ში თაყვანს სცემდნენ ხურიტულ ღვთაებას — ხეფათს და მის მეულლეს — თეშუფს, ისევე, როგორც იშთარს (ხურიტული წარმოშობის შაუშქას), რ-ის ტაძარი განთავისუფლებული იყო ხეთების სახელმწ. ვალდებულებათა შესრულებისაგან.

გ. გიორგაძე.

სამუხრანბატონო, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, სათავადო. წარმოიშვა ქართლის მეფეთა დომენში XVI ს. დასაწყისში. სამეფო დინასტიის ერთი შტოს მეთაურობით, რ-თაც მუხრანბატონები ეწოდათ. ს-ს ძირითადი ტერიტ. მუხრანის ველზე მდებარეობდა. ს-ს წარმოშობა დაემთხვა შინაპოლიტ. კრიზისს, როცა ქსნისა და არაგვის ერისთავთა ცდას მიეტაცებინათ სამეფო დომენი, დაერთო კახეთის მეფის ავგიორგის ლაშქრობა მუხრანში. ს-ს წარმოქმნა იყო სამეფო დომენის გადარჩენის ერთგვარი ცდა.



სამუხტავი მოწყობილობა. სელუნიანი გამმართველის მქონე ერთფაზიანი სამუხტავი მოწყობილობის სქემა: 1—ძაბვის სტაბილიზატორი; 2—გამმართველი; 3—დროსელი; A—ამპერმეტრი (თანამიმდევრულად ჩართული აკუმულატორთა ბატარეასთან); V—ვოლტმეტრი (დატვირთვის) პარალელურად ჩართული; დ—დატვირთვა.

ს-ს აღმ-იდან ესაზღვრებოდა არაგვი, სამხრ-იდან — მდ. მტკვარი. მდ. ქსნის დასით მას ეკუთვნოდა სოფლები: აღაიანი, ქადაგიანი, თეზი, ოკამი, ლამისყანა. ჩრდით ს. ერცელდებოდა გრემისხევამდე; შემდეგში მუხრანბატონებმა დაკარგეს ლამისყანა და გრემისხევი და ს-ს საზღვარი გადიოდა ციხებოდავისა (ციხევდავი) და მისაქციელის ზაზზე. ს-ს მთავარი ციხე იყო მტკვრის (ქსნის) ციხე, რეზიდენცია — შიოსუბანი (ახლანდ. მუხრანი). სოფლები ემორჩილებოდა წილკნის საეპისკოპოსოსა და მცხეთის საკათალიკოსოს. განვითარებული იყო სოფ. მეურნეობა — შემინდვრეობა და მეხილეობა-მევენახეობა. ს. აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში, ზოგჯერ მუხრანბატონები ქართლის გამგენი ან მეფეებიც იყვნენ. ს-მ არსებობა შეწყვიტა XIX ს. 40-იან წლებში.

ლიტ.: გ გ ა ს ა ლ ი ა ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1967, [ტ.] 3; გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

ჯ. გვასალია.

სამუხრუჭო მანძილი, სატრანსპორტო საშუალების (ავტომობილი, მატარებელი ტრამვაი და სხვ.) მიერ გავლილი მანძილი სამუხრუჭო მოწყობილობის ამოქმედების მომენტიდან სრულ გაჩერებამდე.

სამუხტავი გენერატორი, ელექტრული გენერატორი, რ-ის დანიშნულებაა აკუმულატორთა და კონდენსატორთა ბატარეების დამუხტვა. ს. გ-ად იყენებენ მუდმივი დენის გენერატორს, რ-საც აქვს პარალელური (შუნტური) აგზნება (იხ. *მუდმივი დენის გენერატორი*). ასეთი გენერატორის კლემებზე ძაბვას ფართო ზღვრებში არეგულირებს აგზნების წრედში ჩართული რეოსტატი. ს. გ-ს უმთავრესად იყენებენ „დამუხტვა—განმუხტვის" ციკლებით მუშაობისათვის. უწყვეტი შემუხტვისათვის ს. გ-ს უნდა ჰქონდეს დამრეცი გარე მახასიათებელი. ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს შერეული აგზნების გენერატორი, რ-საც აქვს განბნევის პოლუსები ნეიტრალურ ზონაში (ეს პოლუსები მაგნ. ბოგათი შეერთებულია მთავარ პოლუსებთან). ს. გ-ის დატვირთვის დროს მთავარი პოლუსების გაპარვის ნაკადი განბნევის პოლუსების ნაკადის ზემოქმედებით მიემართება ღუზაში, რის შედეგად სასარგებლო მაგნ. ნაკადი იზრდება და ს. გ-ის გარე მახასიათებელი მუშა ნაწილში თითქმის ჰორიზონტალურია.

სამუხტავი მოწყობილობა, 1. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მოწყობილობა აკუმულატორთა (ძირითადად) და კონდენსატორთა ბატარეების დასამუხტავად. შედგება *სამუხტავი გენერატორის* ან *ტრანსფორმატორის* (დენის გამმართველითურთ) და მანაწილებელი მოწყობილობისაგან, რ-შიც შედის ძაბვის რეგულატორები და ავტომ. ამომრთველები. აკუმულატორთა ს. მ-ს იყენებენ აკუმულატორთა ბატარეების პერიოდული დამუხტვის, უწყვეტი და წყვეტილი შემუხტვისა და კვლავმუხტვისათვის (სათანაბრებელი დამუხტვისათვის), კონდენსატორთა ს. მ-ს კი — უწყვეტად ნომინალურ ძაბვამდე კონდენსატორთა დასამუხტავად. ერთფაზიან მცირე სიმძლავრის გამმართველ ს. მ-ს (ნახ.) აქვს მკვეთრად ვარდებადი გარე მახასიათებელი, რ-იც შეესაბამება აკუმულატორთა ბატარეების დამუხტვის რეჟიმს. 2. ა ფ ე თ ქ ე ბ ი თ ი ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი ს დ რ ო ს ს. მ. წარმოადგენს შპურებისა და ჭაბურღილების ფეთქებადი ნივთიერებით (ფნ) დასატენ მექანიზმს ან მანქანას. ს. მ. 2 სახისაა: დავაზნული ფნ-ისა და გრანულირებული ფნ-ის დასატენი. პირველი სახის ს. მ. ნაკლებადაა გავრცელებული. გრანულირებული ფნ-ის ს. მ-ს იყენებენ კარიერებში დაღმავალი ჭაბურღილების, აგრეთვე ნებისმიერი მიმართულების შპურებისა და ჭაბურღილების დასატენად (პირველ შემთხვევაში პროცესი მიმდინარეობს თვითდინებით, მეორეში კი — პნევმ. მოწყობილობის დახმარებით). მოქმედების პრინციპის მიხედვით ს. მ. არის ექექტორული და დამჭირხნი.

სამფაზიანი წრედი, სამფაზიანი სისტემა, *ცვლადი დენის* 3 ისეთი ერთფაზიანი ელექტრული წრედის (ე. წ. ფაზების) ერთობლიობა, რ-ებშიც მოქმედებს 3 ერთნაირი სიხშირის ერთმანეთისადმი ფაზით გადანაცვლებული ცვლადი ძაბვა; მრავალფაზიანი სისტემის კერძო შემთხვევაა. ყველაზე მეტადაა გავრცელებული სიმეტრიული სამფაზიანი სისტემები, რ-ებშიც ძაბვები სინუსოიდურია, ურთიერთტოლია და მათი ფაზათა გადანაცვლება 120°-ს უდრის. სამფაზიან სისტემას ელექტრულად არაბმულს უწოდებენ, თუ ყოველი ცალკეული ფაზა წარმოადგენს დამოუკიდებელ ელექტრულ წრედს და ელექტრულად ბმულს, თუ ეს ფაზები ელექტრულად შეერთებულია ერთმანეთთან. პრაქტ. გამოყენება აქვს ელექტრულად ბმულ სამფაზიან სისტემებს (ნახ.). თუ გენერატორის ფაზური გრაგნილები და დატვირთვის ფაზები შეერთებულია ვარსკვლავურად (იხ. *ეკვივალენტური სქემა*), მაშინ ს. წ-ში, ხაზის სადენებთან ერთად, შეიძლება შედიოდეს ნეიტრალური (ნულოვანი) სადენიც, რ-იც აერთებს გენერატორისა და დატვირთვის ნეიტრალურ წერტილებს. ნეიტრალური სადენი ამცირებს ს. წ-ის ფაზების მუშაობის რეჟიმთა ურთიერთგავლენას და უზრუნველყოფს ს. წ-ში ერთფაზიანი დატვირთვის ჩართვის შესაძლებლობას. ძაბვებს ხაზის სადენებს შორის და ამ სადენებში გამავალ დენს ხაზურს უწოდებენ, ხოლო დენს, გამავალს გენერატორის ფაზის გრაგნილებსა და დატვირთვის ფაზებში, აგრეთვე მათ ძაბვებს—ფაზურს. სამფაზიანი სისტემა შემოთავაზებული იყო 1891 მ. *დოლივო-დობროვოლსკის* მიერ, რ-მაც დაამუშავა ამ სისტემის ძირითადი რგოლები — გენერატორები, ტრანსფორმატორები, ელექტროგადაცემის ხაზები და სამფაზიანი დენის ძრავები. შემდგომ ეს სისტემა ფართოდ გავრცელდა ელექტროენერგეტიკაში. ს. წ-ის გამოყენება სამუალებას იძლევა მარტივად მივიღოთ *მბრუნავი მაგნიტური ველი* ცვლადი დენის ელექტროძრავებში.

სამქვარი, სოფელი აფხ. ასსრ გალის რ-ში, გალის წყალსაცავის ნაპირზე, მდ. ნიშნისის ხეობაში. პირველი გალის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ზემო გალი, კოხორა, ლეკუმხარა. ფაროლალი, ცსირი) ზ. დ. 60 *მ*, გალიდან 5 *კმ*· პირველი გალის მეცივრუსეობის საბჭ. მეურნეობა. სამ. და რვაწლ სკოლები, პროფტექ. სასწავლებელი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სამღებრო სამუშაოები, შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების ზედაპირის დაფარვა საღებავით ამ კონსტრუქციების გამოსადეგობის ვადის გაზრდის, სათავსებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისა და მათთვის ლამაზი ფერის მინიჭების მიზნით. საღებავში შედის *პიგმენტები* და თხევადი შემკვრელი ნივთიერებები, რ-ებიც დამზადებულია წყლიან ან უწყლო ფუძეზე (მაგ., კირი, ცემენტი, თხევადი მინა, სხვადასხვაგვარი წებო, ნატურალური და ხელოვნური ოლიფა, სინთეზური ფისები, ბიტუმი და სხვ.). წებოვანი საღებავებით ჩვეულებრივ ღებავენ კედლებსა და ჭერს ნორმალური ტენიანობის მქონე სათავსებში, ზეთიანი საღებავით — შენობა-ნაგებობათა გარე ზედაპირებს (ფასადებს), მაღალი ტენიანობის მქონე შიგა სათავსებს, სადურგლო და ლითონის ნაკეთობებს. უფრო უნივერსა-

ლურია სინთეზური საღებავი შედგენილობა, ნავთობპოლიმერული, სილიკატური, წყალემულსიური საღებავები. ეს საღებავები კონსტრუქციებსა და ნაკეთობებს საიმედოდ იცავს დაზიანებისაგან ცვლადი ტემპერული რეჟიმისა და აგრესიული გარემოს ზემოქმედების დროს. ს. ს-ის წარმოებისას საღებავი შედგენილობების გარდა იყენებენ საღებავების გამხსნელებსა და გამზავებლებს (სკიპიდარი, უაიტსპირიტი, აცეტონი და სხვ.), სიკატივებს (ზეთის საღებავების გაშრობის დასაჩქარებლად), აგრეთვე დამხმარე სამღებრო ნარევებს (მაგ., პასტებს). ს. ს-ში შედის: ზედაპირის გაწმენდა, მასზე მოსაგრუნტი შედგენილობის წასმა, უსწორმასწორო ადგილების მოსწორება, ხეხვა, შეფითხნა, საკუთრივ შეღებვა და ზედაპირის საბოლოო გამოყვანა. თანამედროვე პირობებში ს. ს-ის ყველა ძირითადი ოპერაცია მექანიზებულია. სამშენებლო მოედანზე ჩვეულებრივ მოაქვთ მზა საღებავი, რ-იც მექანიზებული ხერხით გადააქვთ სამუშაო ადგილზე, ზოგჯერ კი მას ამზადებენ ცენტრალიზებულ საკოლერო სახელოსნოებში, აგრეთვე გადასაძრავებელ სამღებრო სადგურებში (ნახ.). ს. ს-ის წარმოებისას ფართოდ იყენებენ სახეხ-საგლეს მანქანებს, მექანიზებულ საფითხნებს, საღებავ აგრეგატებს, საღებავსაშხეფებს, საღებავსაფრქვეველ დამბაჩებს და ა. შ. თანამედროვე საბინაო და სამოქალაქო მშენებლობაში ს. ს-ის შრომატევადობა შეადგენს მთელ მშენებლობაზე დახარჯული შრომის 10—12%, ღირებულება — 3—3,5%, ხანგრძლივობა — მთელი ობიექტის მშენებლობისათვის დახარჯული დროის დაახლ. 30%.

ლიტ.: Добровольский Г. Н., **Краткий справочник маляра-альфрейщика**, 2 изд., К., 1970; Суржаненко А. Е., **Декоративные малярные работы**, М., 1971.

სამღვრეთი, სამღვრეთი, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (დმანისის სოფსაბჭო), თეთრი წყაროს პლატოზე. ზ. დ. 1010 *მ*. თეთრი წყაროდან 8 *კმ*. გარისის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა.

სამღვრელი, სცენის აღმნიშვნელი ძვ. ქართული ტერმინი, გვხვდება ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების თარგმანებში. ქართული *სახილველის* თავისებურებას შეადგენდა ორსამღერლიანობა (ორსცენიანობა), რაც ხალხური სანახაობა „ნირზის" განვითარებით უნდა შექმნილიყო. ს. ახმეტელი ბერიკაობის წარმოსახვაში ორსამღერლიანობის (2 სათამაშო მოედნის) აუცილებლობას ხედავდა.

ლიტ.: ჯანელიძე დ., თეატრმცოდნეობითი ჩანაწერები, [ნაწ.] 2 — სამღერელი და მისი აღნაგობა, «თეატრალური მოამბე», 1970, № 4.

დ. ჯანელიძე.

სამღვდელოება, კულტის მსახურნი თანამედროვე რელიგიებში. ს., ჩვეულებრივ, გაერთიანებულია იერარქიულ კორპორაციებად და ეკლესიაში თავისი მდგომარეობისა და ფუნქციის შესაბამისად იყოფა უმაღლეს და უმდაბლეს ს-დ. ზოგ რელიგიაში უმაღლესი ს-ის წარმომადგენელი ღმერთის მოციქულია მიწაზე (რომის პაპი), ან ღვთაების განსახიერებაა (დალაი-ლამა და პანჩენ-ლამა ლამაიზმში, ისმაილიტების სექტის მეთაური). მთელ რიგ რელიგიებში ს. იყოფა შავ (ბერმონაზვნები) და თეთრ ს-დ. ბუდიზმში მხოლოდ მონაზვნობაა. ს-ის წინამორბედად ქურუმობა ითვლება, მაგრამ პრინციპული განსხვავება ს-სა და ქურუმობას შორის არ არსებობს. ქრისტ. რელიგიაში (ახალი აღთქმა) მღვდლობა ერთ-ერთი საიდუმლოა და დასაბამი მიეცა ძველი აღთქმიდან. ბიბლიური ტრადიციით, ღმერთი ეუბნება მოსეს: „აიყვანე შენთან შენი ძმა აარონი და მისი ძენი მასთან ერთად, ისრაელთა შვილებიდან, რომ ის იყოს ჩემ მღვდლად... და გაუმზადე წმიდა სამოსელი შენ ძმას აარონს, პატივისა და დიდებისათვის" (გამოსვლათა 28, 1—2). ადრინდ. ქრისტ. თემები დემოკრ. პრინციპებზე იყო აგებული, მაგრამ თანდათანობით, II ს. შუა ხანიდან, თემების სათავეში ეპისკოპოსები მოექცნენ და მათ დაექვემდებარნენ ღვთისმსახურნი. მოგვიანებით მძლავრი საეპისკოპოსოების ეპისკოპოსებს პატრიარქებს უწოდებდნენ, ხოლო რომის საეპისკოპოსოს საფუძველზე პაპობა შეიქმნა.


ფეოდ. სახელმწიფოებში ს. განსაკუთრებულ პრივილეგირებულ წოდებას წარმოადგენდა. საერო ფეოდალებთან ერთად უმაღლესი ს. მსხვილ მიწათმფლობელად იქცა. ფ. ენგელსის თქმით, შუა საუკუნეებში ს. ერთადერთი განათლებული კლასი იყო და ხელს უწყობდა განათლებისა და ცოდნის გავრცელებას (სკოლების დაარსება, მონასტრებში წიგნების გადაწერა, მატიანეების შედგენა); ამასთანავე ს. ბატონობდა საზ-ბის მთელ სულიერ ცხოვრებაზე და ხელს უშლიდა მეცნ. განვითარებას.

იმპერიალიზმის ეპოქაში ს. აქტიურად უჭერს მხარს ბურჟუაზიას მუშათა სოციალ. მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მსოფლიო სოციალ. სისტემის განმტკიცებამ, ეროვნ. განმათ. მოძრაობის წარმატებებმა, სოციალ. იდეების პოპულარობამ ს-ის მრავალი წარმომადგენელი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში საკუთარი პოზიციების გადასინჯვის აუცილებლობამდე მიიყვანა (კაპიტალიზმის უპირობო გამართლების უარყოფა, მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის მხარდაჭერა და სხვ.). ს. ამასთანავე ქადაგებს ანტიმეცნ. იდეალისტურ იდეოლოგიას; ცდილობს მეცნ. აღმოჩენების იდეალისტურად ახსნას. იხ. აგრეთვე სტატიები: *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი*, განყ-ბა რელიგია და ეკლესია, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია*.

ლიტ.: Ярославский Е. М., О религии, М., 1957.

სამყარო, 1. მთელი სინამდვილის იგივეობრივია. მას მიეკუთვნება ყოველი მოვლენა, რ-იც ობიექტურად ან სუბიექტურად არსებობს. განასხვავებენ გარე-სამყაროსა და შინასამყაროს. 2. ადამიანის ცნობიერების გარეთ არსებული საგნების, მოვლენების, პროცესების ერთობლიობა, ანუ ობიექტური რეალობა, მატერია. ამ შემთხვევაში ს. ბუნებრივ და სოც.-მატერ. მოვლენათა ერთობლიობაა. 3. მხოლოდ ბუნების მოვლენების ერთობლიობა; ბუნება, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის ობიექტი. 4. ციურ სხეულთა ერთობლიობა. ამ შემთხვევაში ს-ს ცნება მოიცავს მზის სისტემას, ვარსკვლავებს, გალაქტიკას, მეტაგალაქტიკას და ა. შ. იხ. აგრეთვე სტ. *სამყარო* (ასტრონ.); 5. გადატანითი აზრით — რომელიმე ობიექტთა ერთობლიობა. მაგ., ცხოველთა ს., ფერთა ს., ანტიკური ს., მშვენიერების ს. და ა. შ.

ს. უსასრულოა სივრცესა და დროში. უსაზღვროდ მრავალგვარია მისი არსებობის კონკრეტული ფორმები. იგი მარადიულია, არ წარმოიშობა და არ ისპობა, მიმდინარეობს მხოლოდ მისი ფორმების ურთიერთგარდაქმნა, ძველი ფორმების მოსპობა და ახლის წარმოშობა: დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს რელიგიურსა და იდეალისტურ შეხედულებებს ს-ზე. რელიგიური წარმოდგენების თანახმად, ს. შექმნა ღმერთმა. იგი სასრულია, აქვს დასაბამი და ექნება დასასრული; მეორეულია ობიექტური იდეის მიმართ (ობიექტური იდეალიზმი) ან მისი არსებობა დამოკიდებულია ადამიანის ცნობიერებაზე (სუბიექტური იდეალიზმი)... დიალექტიკური მატერიალიზმი ასევე უპირისპირდება მექანისტური და მეტაფიზიკური მატერიალიზმის შეხედულებებს ს-ზე, რ-თა თანახმად, ს. განვითარების გარეშეა და აიხსნება მხოლოდ კლასიკური მექანიკის



სამღებრო სამუშაოები. სამღებრო სადგური ცნილ—3: 1 — ტუმბოს შლანგი; 2 — ვიბრაციული საცერი; 3—საღებავ-სასრესები; 4—ტუმბო-ემულგატორი; 5—ელექტროშემრევი; 6—როტორული წისქვილი; 7—ელექტროსეტი; 8—წყლისა და ოლიფის სადოზირებელი ავზები; 9—საინექტორო ტარა; 10—კომპრესორი.

კანონებით. მარქსისტული ფილოსოფია ს-ს სურათს ქმნის თანამედროვე მეცნიერების მონაცემების განზოგადების საფუძველზე. მისი დაზუსტება და დაკონკრეტება ხდება მეცნიერების განვითარების შესაბამისად. *ვ. ერქომაიშვილი.*

სამყარო (ასტრონ.), მთელი ქვეყანა, მსოფლიო, უსასრულო და უსაზღვრო დროსა და სივრცეში, უსასრულოდ ნაირ-ნაირი მოვლენებითა და ფორმებით, რ-ებსაც მატერია ღებულობს განვითარებისა და ევოლუციის პროცესში. ს. მოიცავს ცის სხეულთა (დედამიწითურთ) განუზომელ სიმრავლეს, მათ შორის სივრცეს გრავიტაციული, მაგნ. და სხვა ველებით და გაბნეული ნივთიერებითურთ, მთელ ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებას.

ს. არსებობს ობიექტურად, ადამიანის გონებისაგან დამოუკიდებლად. იგი მატერიალურია, რასაც მოწმობს მისი მრავალმხრივი მეცნ. კვლევა. ადამიანი შეიმეცნებს ს-ს ბუნებათმცოდნეობითი დისციპლინების მეთოდებით. ს-ს ნივთიერების განაწილებას სივრცესა და დროში, ნივთიერების ფორმებსა და მათ განვითარებას, რაც ცის სხეულებისა და მათი სისტემების ბუნებაში გამოვლინდება, შეისწავლის *ასტრონომია*, კერძოდ, მისი დარგები *კოსმოგონია* და *კოსმოლოგია*.

ამ დარგების საფუძველზე ადამიანი შეიმეცნებს ს-ს, მის აგებულებას, განვითარებას, ევოლუციის კანონზომიერებებს. ს. უსასრულოა, უსასრულოა მისი შემეცნების პროცესიც. საზ-ბის განვითარების ყოველ ეტაპზე კაცობრიობისათვის შემეცნებულია ს-ს გარკვეული, შემოსაზღვრული სივრცე, რ-იც თანამიმდევრულად ფართოვდება და უფრო ღრმად და სრულად შეიმეცნება ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებისა და შემეცნების საშუალებების, იარაღ-მეთოდების გამრავალებისა და სრულყოფის კვალდაკვალ.

კაცობრიობის განვითარების საწყის საფეხურებზე ადამიანის წარმოდგენა ს-ზე შეზღუდული იყო მისი ახლო გარემოს (მდინარეების, ტყეების, მთების) ცოდნით, ცაზე კაშკაშა მნათობებს კი აღიქვამდა მხოლოდ როგორც ორიენტირებს დროსა და სივრცეში. შემდგომში მისი ცოდნა დედამიწის ზედაპირის უფრო დიდ სივრცეებზე ვრცელდებოდა, ადამიანმა დედამიწის ფორმის სფერულობას მიაკვლია და მნათობთა შედარებითი სიშორეც აღიარა.

კოპერნიკის ეპოქის დაწყებით ადამიანისმიერი შემეცნება მთელი პლანეტური სისტემის სივრცეზე გავრცელდა და ს-ს საერთო აგებულების სურათი წარმოისახა. XIX ს-ში შემეცნების უნარმა მიაღწია ვარსკვლავებს, *გალაქტიკის* სიღრმეებს, ფარდა ახადა ვარსკვლავთა ბუნებას, ხოლო XX ს-ში გასცდა ჩვენი გალაქტიკის საზღვრებს და *მეტაგალაქტიკის* სივრცეებში შეიჭრა.

პლანეტური სისტემის სივრცის განივი 12 მლრდ. *კმ* ეტოლება, მას სინათლის სხივი 11 სთ-ში ჰკვეთს. გალაქტიკის განივის განჭოლას იგი ასი ათ. *სინ. წ.* ანდომებს, ხოლო მეტაგალაქტიკაში ჩვენს დროში დაიკვირვება და შეისწავლება ათი მლრდ. *სინ. წ.* დაშორებული კოსმ. ობიექტები: გარე გალაქტიკები, რ-თა არსებობა მხოლოდ

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში დადასტურდა, *კვაზარები*, რ-ებიც მხოლოდ სამოციან წლებში იქნა აღმოჩენილი.

შემეცნებული სივრცის ასეთი გაფართოება განაპირობა ტელესკოპური ასტრონ. განვითარებამ, ახ. მეთოდების (ფოტომეტრია, სპექტროსკოპია) გამოყენებამ, ახ. დარგების აღმოცენებამ (რადიოასტრონომია), ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოპოვებულ დაკვირვების მონაცემთა ანალიზმა. არა მარტო ფართოვდებოდა შემეცნებადი სივრცე, არამედ ცოდნა თანამიმდევრულად ღრმავდებოდა და უფრო და უფრო სრული ხდებოდა წარმოდგენა როგორც შედარებით ახლოს, ისე შორს მდებარე ობიექტებზე.

მეცნიერების განვითარების მთელი ისტორია მოწმობს, რომ არც ს-ს ამა თუ იმ ნაწილის სიშორე, არც ობიექტთა და მოვლენათა სირთულე და მიმდინარე ეტაპზე მათი იდუმალება არ გამორიცხავს მათი შემეცნების შესაძლებლობას ადრე თუ გვიან. ასტრონ. ისტორიას აქვს ამის მრავალი მოწმობა, რითაც უარყოფს *აგნოსტიციზმს*. ს-ს შესწავლილი ნაწილის შემოსაზღვრულობა დროებითია, იგი თანამიმდევრულად ფართოვდება, რაც თანხმობაშია ს-ს უსასრულობის იდეასთან.

ს-ს ერთგვარად იერარქიული აგებულება აქვს: პლანეტური სისტემა, რ-ის მთავარი სხეულია მზე (ერთ-ერთი ვარსკვლავი, უახლოესი მასთან დაკავშირებულ დედამიწასთან), ვარსკვლავები და ზოგი სხვა კოსმ. ობიექტი შეადგენენ გალაქტიკას — ჩვენს გალაქტიკას, რ-საც ჩვენი მზის სისტემა ეკუთვნის და რ-შიც ას მლრდ-ზე მეტი ვარსკვლავია, გალაქტიკები კი — კიდევ უფრო მაღალი რიგის სისტემას — მეტაგალაქტიკას. პლანეტური სისტემა შემოსაზღვრულია სივრცეში. შემოსაზღვრულია ჩვენი გალაქტიკა და გარე გალაქტიკებიც. მეტაგალაქტიკის საზღვარი ჯერ ვერ ჩაითვლება მიღწეულად. თუ ეს საზღვარი არსებობს, მის იქით სივრცეში მოსალოდნელია უფრო მაღალი რიგის კოსმ. სისტემების მიკვლევა.

სტრუქტურულად მეტაგალაქტიკა, რ-იც დღეს თითქოს „მთელ შესწავლილ სამყაროს“ წარმოგვიდგენს, შემდეგი თვისებებით ხასიათდება: ა) გალაქტიკები მასში თანაბრად არ არის განაწილებული; ზოგი იზოლირებულად არსებობს, უმრავლესობა კი ჯგუფ-ჯგუფადაა გაბნეული სივრცეში, როგორც კუნძულები და არქიპელაგები ზღვებსა და ოკეანეებში. ბ) მთელი სივრცე შევსებულია გაბნეული ნივთიერებით, ფიზ. ველებითა და რადიოგამოსხივებით; გ) გალაქტიკები თავიანთ მოძრაობაში ერთმანეთს შორდებიან დიდი სიჩქარეებით და რაც უფრო მეტია მანძილები მათ შორის, მით უფრო მეტია ეს სიჩქარეები. ეს დასტურდება გალაქტიკების სპექტრებში ხაზების წითელი უბნისაკენ დოპლერისეული წანაცვლებით (ანუ *დოპლერის ეფექტით*), რასაც *წითელ წანაცვლებას* უწოდებენ და რაც გალაქტიკათა სიმრავლის გაფართოების სურათს ქმნის.

კოპერნიკის ეპოქამდე კაცობრიობას ჰქონდა გეოცენტრული წარმოდგენა ს-ზე. უკანასკნელი შეცვალა ჰელიოცენტრულმა მოძღვრებამ. შემდგომ აღმოჩნდა, რომ მზე მხოლოდ პლანეტური სისტემის გრავიტაციულ ცენტრს წარმოადგენს და გალაქტიკაში მას არ უკავია ცენტრ. ადგილი. არც ჩვენი გალაქტიკა ჩაითვლება მეტაგალაქტიკის ცენტრად. მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა გეოცენტრიზმი, ერთხანს გავლენას ახდენდა ადამიანის წარმოდგენებზე *ანთროპოცენტრიზმი*. მას საფუძველი გამოაცალა ასტრონ. განვითარებამ, მატერიალ. მოძღვრებამ ს-ს ობიექტურად არსებობის შესახებ.

ს-ს დღეისათვის შესწავლილ ნაწილში ყველა მოვლენა ერთნაირი კანონზომიერებით ვითარდება. ეს თითქოს საფუძველს გვაძლევს ექსტრაპოლაცია მოვახდინოთ იმ ნაწილზე, რ-იც მეტაგალაქტიკის დღევანდელ საზღვარს გაღმაა, და მასზეც ჩამოვაყალიბოთ წარმოდგენა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ შემეცნებული სივრცის თანამიმდევრული გაფართოების პროცესში ხდებოდა თვისებრივად ახ. მოვლენების, ახ. სტრუქტურული თვისებების აღმოჩენაც. ეს პროცესი, შესაძლოა, შემდგომშიც ასევე განვითარდეს. ამიტომ ძნელია დარწმუნებით ვიმსჯელოთ ს-ს ჯერ ფარდააუხსნელი ნაწილის სტრუქტურულ თუ ფიზ. და ევოლ. აწმყო და მომავალ თვისებებზე. ერთი რამ კი უეჭველი უნდა იყოს: ს-ს ობიექტები და მთლიანად ს. განუწყვეტელ ევოლუციას განიცდის. ოღონდ მისი ევოლუცია ერთობ ნელა მიმდინარეობს. ამიტომ ცალკეული ობიექტების სიცოცხლე, მაგ., მზის ან გალაქტიკის სიცოცხლე, ერთობ ხანგრძლივია. მზე თანამედროვე სახითა და თვისებებით (ფორმით, მასით, ელექტრომაგნ. გამოსხივებით) რამდენიმე ასეული მილიონი წლის განმავლობაში მაინც ძირითადად უცვლელი დარჩება, თუმცა მის გამოსხივებასა და ატმოსფეროში ხანმოკლე ცვლილებებიც შეიმჩნევა (აქტიურობის თერთმეტწლიანი პერიოდი, ფოტოსფეროში ლაქების გამოჩენა, განვითარება და გაქრობა, ქრომოსფერული ანთებები და სხვ.).

ასეთ პირობებში მაინც გვაქვს შესაძლებლობა ვიმსჯელოთ მზის, ასევე სხვა ვარსკვლავებისა და გალაქტიკის ევოლ. კანონზომიერებებზე იმის წყალობით, რომ „ერთდროულად“ ვაკვირდებით ვარსკვლავებისა და გალაქტიკების სიმრავლეს, რ-შიაც ზოგი ახალგაზრდაა, ზოგიც ხნიერი, ერთნი ნაკლებად განვითარებულნი, სხვანი — მეტად. ამ და სხვა პარამეტრების მიხედვით ისინი კლასიფიცირებული არიან და ლოგიკურად ლაგდებიან ქრონოლოგიურ მწკრივში, რითაც აღადგენენ ევოლ. სურათს. დღეს შეგვიძლია დავაკვირდეთ 8—10 მლრდ. *სინ. წ.* დაშორებულ გალაქტიკებს და შევისწავლოთ ისინი. მაშასადამე, შეგვიძლია აღვადგინოთ ის პირობები, რ-ებიც იყო მათში მაშინ, როცა ისინი 8—10 მლრდ. წ უფრო ახალგაზრდანი იყვნენ. ეს ერთგვარ საშუალებას გვაძლევს „ჩავიხედოთ“ ს-ს შორეულ წარსულში.

სივრცესა და დროში ს-ს უსასრულობის აღიარებიდან გამომდინარე, აზრმოკლებულად უნდა მივიჩნიოთ ს-ს ასაკზე მსჯელობა. შეიძლება შევეფასოთ ს-ს მხოლოდ ცალკეული კომპონენტების, მაგ., პლანეტური სისტემის ან ჩვენი გალაქტიკის, ან მასში არსებული თითოეული ვარსკვლავთა გროვის ასაკი, ან თუნდაც მეტაგალაქტიკის ასაკი. თუ უკანასკნელს განვსაზღვრავთ ს-ს გაფართოებით გამოწვეული წითელი წანაცვლების მიხედვით და დავუშვებთ, რომ აღრინდ. საფეხურზე დღევანდელი მეტაგალაქტიკის შემადგენელი ნივთიერება გაცილებით უფრო შემკვრივებული იყო და შეუდარებლად უფრო მცირე სივრცე ეკავა, მივალთ დასკვნამდე, რომ მეტაგალაქტიკა 15—20 მლრდ. წლისაა. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ცალკეული გალაქტიკის ასაკი ამაზე ნაკლებია. რადგანაც რიგითი გალაქტიკა დიფერენც. ღერძულ ბრუნვას განიცდის (ბრუნვის პერიოდი საშუალოდ 200 მლნ. წ), ნივთიერება კი მასში ჯერ კიდევ არაერთგვაროვნად არის განაწილებული, ე. ი. არ „გათქვეფილა“ ბრუნვის პროცესის მოქმედებით, საფიქრებელია, რომ მან აქამდე მოასწრო შემობრუნება სულ მხოლოდ ორ-სამ ათეულჯერ და მისი ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 8 — 10 მლრდ. წ. მოიპოვება იმის საბუთებიც, რომ არსებობს გაცილებით უფრო ახალგაზრდა გალაქტიკებიც და უფრო ხნიერებიც.

არის თუ არა ს-ს სხვა სხეულებზე სიცოცხლე? თუ ჩავთვლით, რომ ერთ გალაქტიკაში საშუალოდ ასი მლრდ. ვარსკვლავია (ამის საფუძველი არის), ხოლო მეტაგალაქტიკაში ასი მლნ. გალაქტიკა მაინც არსებობს, მაშინ სულ 10^{19} ვარსკვლავია და ამ განუზომელ სიმრავლეში რატომ მარტო ჩვენი მზე უნდა იყოს ერთადერთი ვარსკვლავი, რ-საც პლანეტები თანამგზავრობენ? მოპოვებულია დაკვირვების ზოგი მონაცემი, რ-იც მიგვანიშნებს სხვა ვარსკვლავების თანმხლები, უფრო მცირე მასის მქონე სხეულების არსებობაზე, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს პლანეტების არსებობას. თუ პლანეტები მაინც მრავლადაა ამ აურაცხელ გალაქტიკებში (და ალბათ ეს ასეა), რატომ მარტო ჩვენი პლანეტა — დედამიწა — უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმებით დასახლებული? ჩვენს მზის ოჯახში კი ცხრა პლანეტას შორის იგი მართლაც ერთადერთია ასეთი. კოსმონავტიკის ხანაში გამოირკვა, რომ სხვა პლანეტები, მ. შ. ვენერა და მარსიც, დაუსახლებელია.

ამ ორ უკანასკნელზე კი სხვა ვარაუდი იყო იმის საფუძველზე, რომ დედამიწასა და მათ ბევრი ერთნაირი თვისება აქვთ (მზესთან დაახლ. ერთნაირი ზომიერი სიახლოვე, ერთნაირი მასები, ატმოსფეროს არსებობა, ღერძული ანუ დღეღამური ბრუნვა), მაგრამ ვენერაზე აღმოჩნდა მაღალი ტემპ-რა (400—500°C) და მაღალი ატმ. წნევა (90 *ატმ*-ზე მეტი), მარსზე კი — მეტად გაიშვიათებული ატმოსფეროა და წყალი არ არის. იუპიტერზე მისი დიდი მასის გამო მეტად დიდი სიმძიმის ძალის აჩქარებაა და ა. შ. კოსმ. აპარატების მეშვეობით მიღებულია მარსის ზედაპირის მაღალი გარჩევის მკაფიო ფოტოსურათები, რ-ებზეც აშკარად ჩანს რელიეფი და კარგად გამოირჩევა წარმონაქმნები, რთაც მდინარეებისა და მათი შენაკადების კალაპოტების მოხაზულობა აქვთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ რამდენიმე ასეული ათასი წ წინათ იქ წყალიც შეიძლებოდა ყოფილიყო. რაკი ს. დროშიაც უსასრულოა, სხვა სხეულებზე სიცოცხლის წარმოშობის ალბათობა უფრო დიდად უნდა ვაღიაროთ, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ვითვალისწინებთ მხოლოდ ვარსკვლავთა ამჟამინდელ რაოდენობასა და მდგომარეობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცოცხალ ორგანიზმს გარემოს პირობებთან შეგუების დიდი უნარი აქვს. შეიძლება არსებობდეს ისეთი ციური სხეული, რ-ზეც ცოცხალი ორგანიზმი ადაპტირებულია ფიზ. პარამეტრების (ტემპ-რა, ატმ. წნევა, სიმძიმის ძალა) დედამიწისაგან განსხვავებულ დიაპაზონთან. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ცოცხალი ორგანიზმის სახეობები დედამიწაზეც კი მეტად ნაირნაირია, ს-ს სხვა სხეულებზე შესაძლოა ის სულ სხვა სახის იყოს. ამ თვალსაზრისით, ს-ს სხვა არეებში სიცოცხლის არსებობის ალბათობა არ შეიძლება მცირედ ჩავთვალოთ. უფრო ნაკლებად ალბათურია ბიოლ. განვითარების პროცესის მწვერვალის — გონიერი, მოაზროვნე არსების— ჩამოყალიბებისა და მის მიერ შექმნილი დედამიწის გარეშე მაღალი ცივილიზაციის არსებობის სხვა შემთხვევები. ამ ურთულეს პრობლემებს გააშუქებს თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი ბიოლოგიის მომავალი მიღწევები და ასტრონ. მეცნ. შემდგომი აღმოჩენები.

ლიტ.: სამყაროს საინტერესო ობიექტები, თბ., 1976; Агекян Т. А., Звезды, галактики, метагалактика, 3 изд., М., 1981; Амбарцумян В. А., Проблемы эволюции Вселенной. Сб., Ер., 1968; Крупномасштабная структура Вселенной. Сб., под ред. М. Лонгейра, Я. Эйнасто, М., 1981; Новиков И. Д., Эволюция Вселенной, М., 1979.

ე. ხარაძე.

სამყაროს გეოცენტრული სისტემა, ძვ. დროში არსებული წარმოდგენა, რ-ის მიხედვით დედამიწა უძრავადაა გაჩერებული სამყაროს ცენტრში, ყველა ციური

სხეული კი მის ირგვლივ მოძრაობს. იხ. სტ. *სამყაროს სისტემები*.

სამყაროს პოლუსები (ჩრდილოეთი და სამხრეთი), ორი წერტილი, რ-ებშიც *ცის სფეროსთან* იკვეთება სამყაროს ღერძი. ს. პ. არ მონაწილეობენ ცის დღეღამურ ბრუნვაში. *პრეცესიის* გამო ისინი 26 000 წ პერიოდით მოძრაობენ ვარსკვლავთა მიმართ წრეწირებზე, რ-ებიც შემოწერილია *ეკლიპტიკის პოლუსების* ირგვლივ 23,5° მანძილზე. *ნუტაციის* გავლენით ს. პ. ასრულებენ მცირე რხევითს მოძრაობებს (რხევათა ამპლიტუდა ≈ 9″; პერიოდი 18,6 წ). ჩვენს ეპოქაში ჩრდ. ს. პ. პატარა დათვის α ვარსკვლავის ახლოსაა (~51′ მანძილზე), რის გამო ამ ვარსკვლავს პოლარული ჰქვია. 5500 წ შემდეგ კი ცეფეევსის α ვარსკვლავს მიუახლოვდება.

სამყაროს „სითბური სიკვდილი“, მცდარი დასკვნა იმის შესახებ, რომ ყველა სახის ენერგია სამყაროში ბოლოს და ბოლოს უნდა გარდაიქმნას სითბური მოძრაობის ენერგიად, რ-იც თანაბრად განაწილდება სამყაროში, რის შედეგადაც მასში შეწყდება ყველა მაკროსკოპული პროცესი. ეს დასკვნა ჩამოაყალიბა რ. *კლაუზიუსმა* (1865) *თერმოდინამიკის მეორე საწყისის* საფუძველზე.

თანამედროვე კოსმოლოგიის თანახმად, მცდარია არამარტო დასკვნა ს. „ს. ს-ის“ შესახებ, არამედ მისი უარყოფის ადრინდელი ცდებიც. ამის მიზეზია ის, რომ მხედველობაში არ მიიღებოდა მნიშვნელოვანი ფიზ. ფაქტორები და, პირველ რიგში, *გრავიტაცია*. თუ გავითვალისწინებთ გრავიტაციულ ველს, ნივთიერების ერთგვაროვანი იზოთერმული განაწილება უკვე აღარ იქნება ყველაზე ალბათური და მას არ შეესაბამება *ენტროპიის* მაქსიმუმი. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ *სამყარო* არასტაციონარულია.

ლიტ.: Зельдович Я. Б., Новиков И. Д., Строение и эволюция Вселенной, М., 1975.

სამყაროს სისტემები, სამყაროს აგებულების სქემები, ანუ წარმოდგენები, სამყაროს აგებულებაზე, რ-ებიც არსებობდნენ ასტრონომიის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ სინამდვილეს. ეს წარმოდგენები ეკუთვნოდა ჯერ სულ დაბალი განვითარების ადამიანებს, შემდგომ — ძვ. ბაბერძნთა ს. (ძვ. წ. VI ს.) მოაზროვნეებს. უფრო დამუშავებული სქემები ეკუთვნის *არისტოტელეს*, *პტოლემეს* (გეოცენტრული სისტემა — სამყაროს ცენტრში უძრავი დედამიწაა), ნ. *კოპერნიკს* (პელიოცენტრული სისტემა — პლანეტური სისტემის ცენტრში მზეა).

გეოცენტრული სისტემის საფუძველი იყო *ანთროპოცენტრიზმი*. მისი გავლენით სისტემამ, რ-იც არსებითად შორს იყო სინამდვილისაგან, XVI ს-მდე გაძლო, რადგანაც ის მაინც აკმაყოფილებდა მოთხოვნას: წინასწარ გამოთვლილიყო მის საფუძველზე პლანეტების მდებარეობა ცაზე დღეგანდელი თვალსაზრისით იმ უზუსტობით, რ-იც ციცერონიზაციის მაშინდელ დაბალ დონეზე საკმარისად ემსახურებოდა პრაქტ. ამოცანებს. ცოდნისა და გამოცდილების ზრდამ, საზ-ბის განვითარებამ, კერძოდ ზღვაოსნობის გაფართოებამ, მეტი სიზუსტე მოითხოვა პლანეტების მდებარეობათა წინასწარ გამოთვლებში. ყოველივე ამან თანდათან გამოააშკარავა გეოცენტრული სისტემის სიყალბე, რამაც ჯერ სქემატური კორექტივების შეტანა გამოიწვია მასში (*დეფერენტები და ეპიციკლები*), მერე კი — სისტემის შეცვლაც ჰელიოცენტრულით, რ-მაც ცაზე პლანეტების ხილული მოძრაობის სირთულე და გამოთვლების სიძნელე მოხსნა იმით, რომ მზე „მოათავსა“ ცენტრში, რ-ის გარშემო „აამოძრავა“ დედამიწა და სხვა პლანეტები. ამ ახ. მოძღვრებამ უარყო ანთროპოცენტრიზმი, შექმნა ეკლესიის დოგმებსა და მცნ. ცოდნას შორის კონფლიქტი, რ-იც უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. საბუნებისმეტყველო მეცნ. ისტორიაში კოპერნიკის მოძღვრება შევიდა როგორც რევოლუციური გადატრიალება.

კოპერნიკის მოძღვრების ერთ-ერთმა მიმდევარმა ჯ. *ბრუნომ* სწორად დაასკვნა, რომ სამყარო უსასრულოა, მზე მხოლოდ მისი სისტემის — პლანეტური სისტემის— ცენტრშია და ასეთი სისტემები სამყაროში ურიცხვია. XVIII ს-ში დაიწყო ჩვენი გალაქტიკის აგებულების შესწავლა, რამაც საფუძველი ჩაუყარა სამყაროს ახ. სისტემას, ხოლო XX ს. ოციან წლებში დადასტურდა ჩვენი გალაქტიკის გარეთ მრავალი სხვა გალაქტიკისა და მათი გროვების არსებობა. ამით ჩამოყალიბდა *მეტაგალაქტიკის* ცნება და სათანადო სისტემა, რ-იც მოიცავს ჩვენს დროში შესასწავლად მისაწვდომ სამყაროს მთელ სივრცეს. იხ. *ასტრონომია*, *სამყარო*, *კოსმოგონია*, *კოსმოლოგია*.

ლიტ.: ხარაძე ე., ასტრონომიის საფუძვლები, [ტ.] 1, თბ., 1971; Гурев Г. А., Системы мира, М., 1950; Паннекук А., История астрономии, М., 1966; Перель Ю. Г., Развитие представлений о Вселенной, М., 1958. *ე. ხარაძე.*

სამყაროს ლერძი, *ცის სფეროს* ცენტრზე გამავალი წრფე, რ-ის გარშემო ხდება ცის ხილული დღეღამური ბრუნვა. პარალელურია დედამიწის ბრუნვის ღერძისა. ცის სფეროსთან იკვეთება იმ ორ წერტილში, რ-ებსაც *სამყაროს პოლუსებს* უწოდებენ.

სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემა, მოძღვრება, რ-ის მიხედვით დედამიწა სხვა პლანეტებთან ერთად მოძრაობს მზის გარშემო და ბრუნავს საკუთარი ღერძის ირგვლივ. იხ. სტ. *სამყაროს სისტემები*.

სამყინოსელე, სამყინვროს წვერი, ულელტეხილი კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3167 *მ*. ს-ს მიდამოები აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. ულელტეხილი მდ-ების სამყურისწყლისა და სტორის ხეობებს აკავშირებს თუშეთის ალაზნის ხეობასთან.

მ. უთმელიძე.

სამყრელო, ჰარირა, ციხებუნა, ქართული ხალხური ცეკვა. ხაზოვანი აგებულების სართულიანი ფერხული. გავრცელებული ყოფილა მესხეთ-ჯავახეთში. სრულდებოდა საგმირო სიმღერების თანხლებით.

სამყურა (Trifolium), ერთწლოვან და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. ბალახებია. მათი ფოთოლი სამფოთოლაკიანია („ს.“), ყვავილები წითელი, ყვითელი, თეთრი ან ვარდისფერია, შეკრებილი თავაკისებრ, იშვიათად მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი პატარა პარკია, 1—2-, იშვიათად 3—6-თესლიანი. ფესვები მთავარღერძიანია, მათზე დიდი რაოდენობით ვითარდება აზოტის შემთვისებელი ბაქტერიების კოჭრები, რ-ებიც ამდიდრებენ ნიადაგს აზოტოვანი შენაერთებით. 300-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ევრ., აზიის, აფრ. და ჩრდ. ამერ. ზომიერ და სუბტროპ. ოლქებში. სსრკ-ში მისი 70-მდე სახეობა იზრდება, საქართველოში — 40-მდე. ს-ს ბევრი სახეობა საქონლის საუკეთესო საკვებია და დიდი ხანია კულტურაშია შეტანილი. ამ მხრივ აღსანიშნავია წითელი ანუ მდელოს ს. (T. pratense), რ-ის 2 ფორმა არსებობს — საგვიანო ანუ ჩრდილოეთის ერთსათიბა და საადრეო ანუ სამხრეთის ორსათიბა; ვარდისფერი ანუ შვედური ს. (T. hybridum)—საკვებად იყენებენ სხვა მარცვლოვნებთან ერთად, თეთრი ს. (T. repens) — თესენ სხვა ს-თან ან მარცვლოვნებთან ერთად. გაძოვების შემდეგ სწრაფად ამოიზრდება. *ი. ლაჩაშვილი.*

სამყურა, სოფელი ადიგენის რ-ნში (ლელოვნის სოფსაბჭო), მდ. ქვაბლიანის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, ადიგენიდან 6 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 *კმ*. ი. სტალინის სახ. ლელოვნის კოლ-ბა (მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. კახარეთში (2 *კმ*). კლუბი.

სამყურისწყარი, მთა კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. სამყურისწყლის (ალაზნის ერთ-ერთი შემადგენელი) სათავეში. სიმაღლე 3258 *მ*. ს-ის მიდამოები აგებულია იურული თიხაფიქლების ინტენსიურად დანაოჭებული წყებებით. კალთები შემოსილია წიფლის ტყით, თხემი — სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

სამყურისწყალი, მდინარე კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ალაზნის ერთ-ერთი შემადგენელი. სათავე აქვს ზ. დ. 2980 *მ*-ზე. სიგრძე 18 *კმ*. აუზის ფართ. 92 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა— ზათარში. საშ. წლ. ხარჯი 5,3 *მ*³/*წმ*. *ი. აფხაზავა.*

სამშენებლო აკუსტიკა, სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის სათავსის, შენობისა და დასახლებული ადგილის ტერიტორიის ხმაურისაგან დაცვისა და მათთვის ოპტიმალური აკუსტიკური პირობების შექმნის საშუალებებს. ს. ა., ერთი მხრით, გამოყენებითი აკუსტიკის დარგია, მეორე მხრით, კი — *სამშენებლო ფიზიკის* ნაწილი. *არქიტექტურული აკუსტიკისაგან* განსხვავებით, იგი იკვლევს ხმაურის წარმომქმნელ წყაროებს, ხმაურის გავლენას, ადგენს სხვადასხვა დანიშნულების სათავსებში ხმაურის დასაშვებ ნორმებს და ხმაურისაგან დაცვის არქიტ.-დაგეგმარებით, არქიტ.-კონსტრ., ტექნოლ.- და საექსპლუატაციო მეთოდებს (მშენებლობის ადგილის შერჩევა, მაღალი ბეტონიზოლაციის მქონე სამშენებლო კონსტრუქციების დაგეგმარება, შესაბამისი *აკუსტიკური მასალის* გამოყენება და ა. შ.), შეისწავლის აგრეთვე ღია თეატრისა და სტადიონისათვის ნორმალური აკუსტიკური პირობების შექმნის საკითხებს (ადგილის, ფორმისა და ზომების შერჩევა, აკუსტიკური ეკრანის გამოყენება და სხვ.).

სსრკ-ში ს. ა-ის დარგში მიმდინარე სამეცნ.-კვლ. სამუშაოების ცენტრია სამშენებლო ფიზიკის ინ-ტი (მოსკოვი).

ლიტ.: Градостроительные меры борьбы с шумом, М., 1975; Заборов В. И., Теория звукоизоляции ограждающих конструкций, 2 изд., М., 1969. *გ. ჩიმაკაძე.*

სამშენებლო თბოტექნიკა, სამშენებლო თბოფიზიკა, სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის სითბოს გადაცემის, ტენის გადატანისა და ჰაერის შეღწევის პროცესებს შენობებში, მათ კონსტრუქციებში, ამუშავებს ამ პროცესების გაანგარიშების საინჟინრო მეთოდებს; *სამშენებლო ფიზიკის* დარგი. ს. თ-ის მეთოდებსა და დასკვნებს იყენებენ შემომზღუდი კონსტრუქციების დაპროექტებისას. ს. თ-ის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა *მშენებლობის ინდუსტრიალიზაციასთან*, შემსუბუქებული კონსტრუქციებისა და ახ. *მშენი მასალის* გამოყენების გაფართოებასთან დაკავშირებით. შენობის სათავსის სანიტ.-ჰიგიენური პირობები დამოკიდებულია შემომზღუდი კონსტრუქციების თბომდგრადობაზე, აგრეთვე გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების მუშაობაზე. სათავსი შემომზღუდი კონსტრუქციების მეშვეობით ზამთარში კარგავს სითბოს, ზაფხულში კი განიცდის გადამეტ ხურებას. ატმ. ნალექების, ტენის გამოყოფა ქმნის შემომზღუდ კონსტრუქციებში ტენცვლის პროცესებს, კონსტრ. ფორებსა და ღრეჩოებში იწვევს ჰაერის ფილტრაციას. ამ შემთხვევაში განსაზღვრავენ შემომზღუდი კონსტრუქციების თბომდგრადობას, რაც ემყარება არასტაციონარული

თბოგადაცემის დიფერენც. განტოლების ამოხსნას. ს. მ. შეისწავლის აგრეთვე შენობის მიკროკლიმატის ჩამოყალიბების, მისი დინამიკის, თბური კომფორტის შექმნის, საწარმოო პროცესების ნორმალური მიმდინარეობისა და კონსტრ. ხანგამძლეობის საკითხებს. ს. მ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭ. მეცნიერებმა: ო. ვლასოვმა, კ. ფოკინმა, ვ. ილინსკიმ, ვ. ბოგოსლოვსკიმ, ა. ლიკოვმა და სხვ.

ლიტ.: Богословский В. Н., Строительная теплофизика, М., 1970; Ильинский В. М., Строительная теплофизика, М., 1974.

გ. დარჩია.

სამშენებლო კერამიკა, *კერამიკისაგან* დამზადებული მასალები და ნაკეთობები, რ-ებსაც მშენებლობაში იყენებენ. ს. კ-ს მიკუთვნება: საკედლე მასალა (*აგური*, კერამ. ქვები), შენობათა ფასადების გამოსაყვანი და შიგა ზედაპირების შესამოსი მასალები (იხ. *შესამოსი და გამოსაყვანი მასალები* მშენებლობაში), საბურავი მასალა (*კრამიტი*), სანიტ.-სამშენებლო ნაკეთობები, კერამ. მილები, მუაგაგამძლე ნაკეთობები და *ცეცხლგამძლეები* (ამოსაგები ფილები, აგური და ა. შ.).

სამშენებლო კონსტრუქციები, შენობა-ნაგებობათა მზიდი და შემომზღუდი კონსტრუქციები. ს. კ-ის დაყოფა მზიდად და შემომზღუდად პირობითია, რადგან თუ ისეთი ს. კ., როგორიცაა *თაღები*, *წამწეები* ან *ჩარჩოები* მხოლოდ მზიდია, კედლისა და გადახურვის *პანელები*, *გარსები*, *კამარები*, ნაკეცები და მისთ. ერთდროულად შემომზღუდიცაა და მზიდიც. დაძაბული მდგომარეობის მიხედვით ს. კ-ს გაიანგარიშებენ და აკონსტრუირებენ როგორც ღუნვადს (*კოჭი*, *ფილა*, *საყრდენი კედელი*), კუმშვადს (*სვეტი*, თაღი, ჩარჩო), ცენტრალურად გაჭიმულს (თაღის შემკვრელი, ცილინდრული რეზერვუარი) და არაცენტრალურად გაჭიმულს (*ბუნკერი*, *სასილოსე ნაგებობა*, კიდულჭერიანი თაღის შემკვრელი). საანგარიშო სქემის მიხედვით მზიდი ს. კ. არის: ბრტყელი (კოჭი, წამწე, თაღი) და სივრცული (გარსი, კამარა). სივრცულ ს. კ-ში ძალები უფრო ხელსაყრელადაა განაწილებული, ვიდრე ბრტყელში, მასალაც ნაკლები სჭირდება, მაგრამ მათი დამზადება და მონტაჟი უფრო შრომატევადია. სივრცული ს. კ-ის ან. ტიპები (მაგ., სტრუქტურული კონსტრუქციები) უფრო ეკონომიურია და ადვილად დასამზადებელი, მონტაჟიც მარტივია. მასალის მიხედვით ს. კ. სხვადასხვა სახეობისაა: ბეტონისა და რკინაბეტონის (იხ. *რკინაბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობები*), *ფოლადის კონსტრუქციები*, *ქვის კონსტრუქციები*, *ხის კონსტრუქციები*. თანამედროვე მშენებლობაში ფართოდ გავრცელდა ინდუსტრ. კონსტრუქციების ან. ტიპები: *აზბესტ-ცემენტის ნაკეთობანი და კონსტრუქციები*, *პნევმატიკური სამშენებლო კონსტრუქციები*, მსუბუქი შენადნობებისაგან და პლასტიკური მასებისაგან დამზადებული კონსტრუქციები. ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ბეტონისა და რკინაბეტონის ს. კ., რ-ებიც დამზადებულია ინდუსტრ. წესით და გამოიყენება საცხოვრ., საზ. და საწარმოო შენობების, აგრეთვე მრავალი საინჟინრო ნაგებობის ასაშენებლად. მონოლითურ რკინაბეტონის ს. კ-ს იყენებენ ჰიდროტექ. ნაგებობების საგზაო და სააეროდრომო საფრების, რეზერვუარების, კოშკების, ელევატორების, მაღლივი შენობებისა და სხვათა ასაგებად. საძირკვლებში, *სეისმომედეგ მშენებლობაში*. ასაწყობ-მონოლითური რკინაბეტონის ს. კ-ს იყენებენ ქ-ნული წესით დამზადებული ელემენტების შესაერთებლად, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მათ ხისტ კვანძებად აერთიანებენ (მაგ., სეისმურ რ-ებში მრავალსართულიანი მშენებლობის დროს). ფართოდ დაინერგა წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის ს. კ., რ-ებიც გამოირჩევა მასალის ეკონომიურობით, კონსტრ. ელემენტების მაღალი სიხისტითა და ბზარმედეგობით, გამოიყენება დიდი მალების გადასახურად (კოჭი, წამწე), განსაკუთრებით ხიდების მშენებლობაში. ფოლადის ს. კ-ს უმთავრესად იყენებენ დიდმალიან შენობა-ნაგებობათა *კარკასისათვის*, ხიდებისათვის და სხვ. ზოგჯერ ფოლადისა და რკინაბეტონის ს. კ-ის გამოყენების სფეროები ერთმანეთს ემთხვევა. ამ შემთხვევაში მასალის შერჩევა ხდება ტექ.-ეკონ. დასაბუთების საფუძველზე. იმის გამო, რომ ფოლადის ს. კ. შედარებით მსუბუქია, მათი გამოყენება მიზანშეწონილია მაღალსეისმურ რ-ებში, ძნელად მისადგომ ადგილებში. ფოლადის ეფექტური სივრცული ს. კ. საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს შენობა-ნაგებობათა მასა. ყველაზე ძვ. სახეობაა ქვის ს. კ., რ-ებსაც სვეტების, კედლებისა და ტიხრებისათვის იყენებენ. მაგრამ ამ სახის ს. კ. ნაკლებად ინდუსტრიულია და მათი წილი მშენებლობაში თანდათან მცირდება. ხის კონსტრუქციებს იყენებენ შენობის როგორც ბრტყელი, ისე სივრცული კონსტრ. გადაწყვეტისას. ხის ს. კ-ის განვითარების ახ. ეტაპია *წებოვანი კონსტრუქციები*, რ-ებსაც ფართოდ იყენებენ სას.-სამ. მშენებლობაში. ყველა სახის ს. კ. უნდა იყოს ცეცხლმედეგი, კოროზიამედეგი, უსაფრთხო, მოსახერხებელი და ეკონ. ექსპლუატაციაში, ინდუსტრ. და ა. შ. ს. კ-ს ანგარიშობენ სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციებზე, ამავე დროს ითვალისწინებენ მათზე ტემპ-რის, სიმძიმის ძალის, ქარის, სეისმური ზემოქმედებას. სსრკ-ში ს. კ-ს ანგარიშობენ *ზღვრული მდგომარეობის* მეთოდით.

ლიტ.: Строительные конструкции, под ред. Т. Н. Цайя и др., [т.] 1—2, М., 1977.

გ. ჯაფარიძე.

სამშენებლო კონსტრუქციების ინსტიტუტი, სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ვ. კუჩერენკოს სახელობისა (ცნიისკ), მდებარეობს მოსკოვში, ექვემდებარება სსრკ სახმშენს. დაარსდა 1927. ინ-ტი ამუშავებს უმნიშვნელოვანეს სამეცნ. პრობლემებს ნაგებობათა თეორიისა და სამშენებლო მექანიკის დარგში, შენობა-ნაგებობათა გაანგარიშებისა და დაპროექტების თანამედროვე მეთოდების თეორ. საფუძვლებს, ინდუსტრ. სამშენებლო კონსტრუქციების ახ. ტიპებს, ადგენს ძირითად სრულიად საკავშ. ნორმატიულ დოკუმენტებს და ახორციელებს სამეცნ.-კვლ. სამუშაოების კოორდინაციას მითითებულ დარგებში.

ინ-ტში შედის სამეცნ. განყ-ბები, ლაბორატორიები და საყრდენი პუნქტები (მ. შ. სეისმომედეგობის ლაბორატორიები კიშინიოვში, ულან-უდეში, ფრუნზეში და ა. შ.), საექსპერიმენტო-საკონსტრუქტორო ბიურო, საცდელი კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მოწყობილობის ქ-ნა. ინ-ტს აქვს დასწრებული და დაუსწრებელი ასპირანტურა. სამეცნ. საბჭოს მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს დაცვისათვის სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. აქვეყნებს შრომების კრებულებს, მონოგრაფიებს, ნორმატიულ მასალას, ინ-ტი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1971).

სამშენებლო მანქანები, სამშენებლო წარმოებაში გამოყენებული მანქანები. დანიშნულების მიხედვით ს. მ. არის: მოსამზადებელი (*ბუჩქსაჭრელი*, *საფხვიერებელი*, *საძირკვლის მაწექნა*); მიწასათხრელი (*ექსკავატორი*, *სკრეპერი*, *ბულდოზერი*, *ავტოგრეიდერი*, *გრეიდერ-ელევატორი*, ჰიდრომექანიზაციის საშუალებები); სამჭიდროებელი (სტატ. და ვიბრაციული მოქმედების *სატკეპნები*, *სატკეპნი* და ვიბროსამჭიდროებელი მანქანები); საბურღი (დარტყმით-ბაგირული, ბრუნვითი, პნევმ.-დარტყმითი ბურღვისა, საბურღი ჩაქუჩი); ხიმინჯსასობი (ხიმინჯის ურო, ვიბროჩამსობი და მისთ.); ამწევ-სატრანსპ. (*ამწე*, *ჯალამბარი*, *დომკრატი* და სხვ.); საგზაო-სამშენებლო (*ბეტონჩამსხმელი*, *გუდრონატორი*, ასფალტბეტონჩამსხმელი და ა. შ.); სამსხვრევ-სახარისხებელი (*სამსხვრეველა*, ცხავი და სხვ.); შემრევი (*ბეტონსარევი*, დუღაბშემრევი); გამოსაყვანი (სილაჭავლური აპარატი, სახეხ-საგლესი მანქანა, საღებავსაშპრიცი, პარკეტგამოსაყვანი მანქანა და სხვ.). ს. მ-ის უმრავლესობას აქვს ელექტრული ამძრავი. მანქანათმშ. ამ დარგის მთავარი ამოცანაა სამშენებლო სამუშაოთა კომპლ. მექანიზაცია.

ი. ქართველიშვილი.

სამშენებლო მექანიკა, გამოყენებითი *მექანიკის* დარგი, რ-იც ამუშავებს ნაგებობების სიმტკიცეზე, სიხისტეზე, მდგრადობასა და რხევებზე გაანგარიშების პრინციპებსა და მეთოდებს. ს. მ. მჭიდროდაა დაკავშირებული თეორ. მექანიკასთან, *მასალათა გამძლეობასთან*, *დრეკადობის თეორიასთან*, *პლასტიკურობის თეორიასა* და *ცოცვადობის თეორიასთან*, რის გამო ს. მ-ის ნაცვლად ზოგჯერ იყენებენ ჩამოთვლილი დარგების შემცველ კომპლ. ტერმინს „ნაგებობათა თეორია“. ს. მ. განიხილავს ნაგებობას როგორც ღეროვან, ბრტყელ ან სივრცულ სისტემას; სისტემა ღეროვანია, თუ მისი ერთი ზომა (სიგრძე) მნიშვნელოვნად აღემატება 2 დანარჩენს (*კოჭი*, *თაღი*, კოჭური ან თაღოვანი *წამწე*, მაღლივი შენობა), ბრტყელია, თუ მისი 2 ზომა (სიგრძე და სიგანე) მრავალჯერ ჭარბობს მესამეს (*ფილა*, *ფირფიტა*, *გარსი*), და სივრცულია, თუ მისი სამივე ზომა ტოლფასია (სივრცული *ჩარჩო*, გარსული გადახურვისა და სვეტების ერთობლიობა). გაანგარიშების მიზანია ნაგებობის კონსტრ. ელემენტებში წარმოქმნილი შიგა ძალვებისა და ამ ელემენტების განივკვეთების გადაადგილებების განსაზღვრა, ნაგებობისა და მისი კონსტრ. ელემენტების მდგრადობის შემოწმება სხვადასხვა სახის დატვირთვის ზემოქმედების დროს. გაანგარიშების შედეგების გამოყენება უზრუნველყოფს ნაგებობის საიმედოობასა და საშენი მასალის მინ. ხარჯვას.

ნაგებობის გასაანგარიშებლად ადგენენ მის საანგარიშო სქემას (მოდელს), რ-იც 3 სახისაა: დისკრეტული, რ-იც შედგება კვანძებში ურთიერთშეერთებული ცალკეული ღეროებისაგან (წამწე, ჩარჩო); კონტინუალური, შედგენილი ერთი უწყვეტი ელემენტისაგან (ფილა, გარსი); დისკრეტულ-კონტინუალური, რ-იც კონტინუალურ ნაწილებთან ერთად შეიცავს ღეროვან ელემენტებსაც (მაგ., სვეტებზე დაყრდნობილი გარსი).

გაანგარიშების მეთოდიკის მიხედვით ნაგებობათა სისტემა ორგვარია: სტატიკურად რკვევადი (იანგარიშება მხოლოდ სტატიკის განტოლებათა გამოყენებით) და სტატიკურად ურკვევი (სტატიკის განტოლებებთან ერთად ადგენენ დეფორმაციათა ერთობლიობის განტოლებებს).

დისკრეტული სტატიკურად ურკვევი სისტემების გაანგარიშებისას იყენებენ 3 ძირითად მეთოდს: ძალთა, გადანაცვლებათა და შერეულ მეთოდებს. ძალთა მეთოდის გამოყენებისას ნაგებობის შერჩეული საანგარიშო სქემიდან გამორიცხავენ ბმების ნაწილს, რათა მოცემული სისტემა გადაიქცეს სტატიკურად რკვევად და გეომეტრიულად უცვლელ (ძირითად) სისტემად. გამორიცხულ ბმებს ცვლიან ძალებით (ე. წ. ზედმეტი უცნობებით), რ-თა განსაზღვრისათვის ადგენენ კანონი-

კურ განტ-ებს. ნაგებობის (მაგ. ჩარჩოს) ისეთი საანგარიშო სქემის შემთხვევაში, როცა ზედმეტ უცნობთა რიცხვი დიდია, უფრო მიზანშეწონილია გადანაცვლებათა (დეფორმაციების) მეთოდის გამოყენება: ‘ძირითადი სისტემა მიიღება მოცემულიდან დამატ. (ზედმეტი) ბმების ზედდებით, რათა ძირითადი სისტემა იქცეს ისეთ ელემენტთა ერთობლიობად, რ-თა დეფორმაციების განსაზღვრა შეიძლება უშუალოდ მასალათა გამძლეობის ფორმულებით. ზედმეტ უცნობებად მიიღება ჩარჩოს კვანძების კუთხური და წრფივი გადაადგილებები (დეფორმაციები), რაც საშუალებას იძლევა შედგეს და ამოიხსნას შედარებით მცირე რაოდენობის განტოლებათა სისტემა მერეული მეთოდი ძალთა და გადაადგილებათა მეთოდების შეუღლებაა; ძირითადი სისტემა მიიღება ბმების ერთი ნაწილის მოცილებით და მეორე ნაწილის ზედდებით. ამიტომ აქ ზედმეტი უცნობებია ძალებიც და გადაადგილებებიც.

კონტინუალური სტატიკურად ურკვეევი სისტემების გაანგარიშებისას უცნობებად მიიღება ძალვების (ძაბვების) და გადაადგილებების ფუნქციები, რ-თა ამოსახსნელად ადგენენ შესაბამის დიფერენც. განტოლებებს. მაგრამ ზუსტ ამოხსნას ღებულობენ მხოლოდ უმარტივესი კონფიგურაციის სხეულებისათვის. ამიტომ საჭირო ხდება ს. მ-ის სხვადასხვა მიახლოებითი (პრაქტიკულად მისაღები) მეთოდების გამოყენება. მაიგან გამოირჩევა ე. წ. სასრული ელემენტების მეთოდი: კონტინუალურ სისტემას ყოფენ სასრულ ელემენტებად, მ. შ. კი ათავსებენ ხისტ ან დრეკად ბმებს. შიგა ძალვებისა და გადაადგილებების განსაზღვრისათვის მიმართავენ გადაადგილებათა მეთოდს. კანონიკურ განტოლებათა სისტემა ჩაიწერება მატრიცული ფორმით, რაც მიზანშეწონილია ელექტრონულ-გამოთვლითი ტექ. გამოყენებისას.

ს. მ-ის მთავარი ამოცანაა ნაგებობაში მოქმედი ძალვების სიდიდეთა და განაწილების დაზუსტება საშენი მასალის ეკონომიის უზრუნველსაყოფად. ამჟამად (1983) იკვლევენ მეთოდებს, რ-ებიც ითვალისწინებს: ნაგებობის სივრცულ მუშაობას, მის *ზღვრულ მდგომარეობას* და ფიზ., გეომ. არაწრფივობას (განსაკუთრებით დინამ. ამოცანების გადაწყვეტისას), სამშენებლო კონსტრუქციების საიმედოობის დადგენას მათ. სტატისტ. და ალბათობის თეორიის საფუძველზე, მათი ოპტიმალური დაგეგმარების საკითხებს.

ს. მ-ის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რუს. და საბჭ. მეცნიერებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ქართვ. მეცნიერებმა, რ-ებმაც გადაჭრეს მრავალი ამოცანა ზღვრული მდგომარეობის, პლასტიკურობის, ცოცვადობისა და დინამ. (განსაკუთრებით სეისმომედეგობის) თეორიის საკითხებთან დაკავშირებით.

ლიტ.: Исследования по строительной механике. Сб. обзорных статей. Тб., 1973; Рабинович И. М., Основы строительной механики стержневых систем, 3 изд., М., 1960; Строительная механика в СССР. 1917—1967, М., 1969.

შ. ნაფეტვარიძე.

სამშენებლო მექანიკა გ ე ბ ი ს, სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც განიხილავს *გების* კორპუსის კონსტრუქციების სიმტკიცისა და სიხისტის გაანგარიშების მეთოდებს. სწავლობს გარე ძალების ზემოქმედებას კონსტრუქციაზე, იკვლევს ძაბვებსა და დეფორმაციებს, რ-ებიც წარმოიქმნება კონსტრუქციაში მოცემული ძალთა სისტემის ზემოქმედებით. გების ს. მ. ემყარება თეორ. *მექანიკის, დრეკადობის თეორიისა* და *პლასტიკურობის თეორიის, საიმედოობის, მასალათა გამძლეობის* დებულებებს. გების სიმტკიცის საკითხები პირველად განიხილა ლ. *ეილერმა*. დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ დისციპლინის განვითარებაში რუს და საბჭ. მეცნიერებს: ი. ბუბნოვს, ა. *კრილოვს*, ი. შიმანსკის, ვ. *ნოვოჟილოვს* და სხვ.

ლიტ.: Короткин Я. И., Ростовцев Д. М., Сиверс Н. Л., Прочность корабля, Л., 1974.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტი კ. ზავრიევის სახელობისა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიისა, შეიქმნა 1947 ანტისეისმური მშენებლობის ბიუროს ბაზაზე და 1962-მდე ეწოდებოდა სამშენებლო საქმის ინტი. ინ-ტის სამეცნ.-კვლ. მუშაობის მთავარი მიმართულებებია: სივრცული კონსტრუქციებისა და კომპლექსების გაანგარიშება ფიზ. და გეომ. არაწრფივობის, მასალათა დრეკადი და პლასტ. თვისებების, ცოცვადობის გათვალისწინებით რთული სტატისტ. და დინამ. დატვირთვების დროს; სეისმური მიკროდარაიონების რიცხვითი მეთოდების დამუშავება; ნაგებობათა სეისმომედეგობის დინამ. თეორიის განვითარება; ბეტონის სიმტკიცის, დეფორმირებადობისა და რღვევის ფიზ. ბუნების, მათ მახასიათებლებზე ცემენტის ქვის სტრუქტურულ თავისებურებათა, გარემოსა და დატვირთვის ხასიათის გავლენის შესწავლა; რკინაბეტონისა და პოლიმერულ მასალათა კვლევა. 1950—70 იყო სათავო ინ-ტი სეისმომედეგი მშენებლობის დარგში, ხოლო 1971-იდან კორდინაციას უწევს სატრანსპ. და ქსლის ტიპის სხვა ნაგებობათა სეისმომედეგობის საკითხების კვლევას. მონაწილეობს მშენებლობის დარგში საკავშ. ნორმატიული დოკუმენტების შედგენაში. სამეცნ.-კვლ. სამუშაოთა შედეგები ქვეყნდება ინ-ტის შრომებში, თემატურ კრებულებსა და მონოგრაფიებში. ინ-ტს აქვს ასპირანტურა.

შ. ნაფეტვარიძე.

სამშენებლო შინა, *შინის* ნაკეთობანი, რ-ებსაც იყენებენ სინათლის ღიობების შესამინად. შუქგამჭვირვალე ტიხრების, ღობეების მოსაწყობად, შენობების გარე და შიგა შემოსვისათვის და სხვ. ს. მ-ს მიეკუთვნება: ფურცლოვანი შინა — ჩვეულებრივი (საფანჯრე, სავიტრინე), სპეც. (უვიოლური, თბოშთანმთქმელი, არმატურიანი) და დეკორატიული (სახიანი, ფერადი, მარბლიტი, სტემალიტი); კონსტრ.-სამშენებლო ნაკეთობანი (მინაბლოკი, მინაპაკეტები, მინაპროფილიტი, ნაწრთობი მინის ნაკეთობანი); დეკორ.-შესამოსი ნაკეთობანი (ფილა, სახალიჩე მოზაიკა, სმალტა, ვიტრაჟი); თბოსაიზოლაციო მასალა (*ქაფმინა*, მინის ბამბა და მისი ნაკეთობანი); ნაკეთობანი სათავსის შიგა მოწყობილობისათვის (კარის, ჩაშენებული ავეჯის დეტალები, განათების არმატურა).

სამშენებლო ნორმები და წესები, ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების ერთობლიობა, რ-საც იყენებენ სსრკ-ში სამშენებლო წარმოების დარგში; შეიცავს მოთხოვნებს, ნორმატივებს, წესებს დასახლ. ადგილების, შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციებისა და საინჟინრო მოწყობილობის დაპროექტების, მშენებლობის ორგანიზაციისა და წარმოების, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრის, დამთავრებული ობიექტების მიღებისა და ექსპლუატაციაში გადაცემის საკითხების შესახებ; ამტკიცებს და გამოცემს სსრკ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწ. კომიტეტი. ს. ნ. და წ-ის უმთავრესი ამოცანაა მეცნ. და ტექ. მიღწევათა საფუძველზე დაპროექტების, მშენებლობის ორგანიზაციისა და წარმოებისათვის ისეთი ერთიანი მოთხოვნებისა და წესების გამომუშავება, რ-თა მეობებით შემოკლდება მშენებლობის ვადები, ამაღლდება ხარისხი და შემცირდება ხარჯები, ამისათვის კი ს. ნ. და წ. ითვალისწინებს შენობა-ნაგებობათა დაპროექტებისა და გაანგარიშების ეფექტური მეთოდების დანერგვას, პროგრ. სამშენებლო კონსტრუქციების, საშენი მასალისა და ბუნებრივი რესურსების მიზანშეწონილ გამოყენებას, *მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა* და შრომისნაყოფიერების, გარემოს დაცვის მოთხოვნების დონის ამაღლების ღონისძიებებს და ა. შ.

ს. ნ. და წ. მოიცავს 4 ნაწილს, რ-ებიც დაყოფილია თავებად (ყოველი თავი გამოიცემა დამოუკიდებლად). I ნაწილი („საერთო დებულებები“) აყალიბებს ნორმატიული დოკუმენტების სისტემას, სამშენებლო ტერმინოლოგიას. II ნაწილი („დაპროექტების ნორმები“) აწესებს დებულებებს და ნორმატივებს დაპროექტების საერთო საკითხებში (სამშენებლო კლიმატოლოგია, ხანძარსაწინააღმ ნორმები, სამშენებლო თბოტექნიკა, სეისმომედეგი მშენებლობა და სხვ.) სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა დაპროექტებისა და სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება-კონსტრუირებისათვის. III ნაწილი („სამუშაოთა წარმოებისა და მიღების წესები“) აყალიბებს მოთხოვნებს მშენებლობის ორგანიზაციის, სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისა და მიღების, მზა ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემის, უსაფრთხოების ტექ. და სხვა საკითხებში. IV ნაწილი („სახარჯთაღრიცხვო ნორმები და წესები“) იძლევა მითითებებს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსასაზღვრავად. ს. ნ-ის და წ-ის გარდა, გამოიცემა აგრეთვე საკავშ., რესპ. ან საუწყებო ნორმები, წესები, ინსტრუქციები და სხვ. ს. ნ. და წ. პერიოდულად განახლდება.

ლიტ.: Строительные нормы и правила, ч. 1, гл. 1 — Система нормативных документов, М., 1980.

გ. ნინუა.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები ს ს რ კ-შ ი, ორგანიზაციულად გამოცალკევებული, წარმოებრივ-სამეურნეო ერთეულები, რ-თა საქმიანობის ძირითადი სახეა ახალი ობიექტების მშენებლობა, მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქცია, კაპიტალური რემონტი, აგრეთვე გაწყობილობის მონტაჟი. სახელმწ. ს.-ს. ო-ებს მიეკუთვნება სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტები; ქარხანასამშენი და სასოფლო მშენებელი კომბინატები; სამშენებლო (სამონტაჟო) სამმართველოები და მასთან გათანაბრებული ორგანიზაციები. კოლ-ბები წილობრივ საწყისებზე ქმნიან კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციებს.

ს.-ს. ო. სამუშაოებს ატარებს საიჯარო ან სამეურნეო წესით. პირველ შემთხვევაში სამშენებლო წარმოებრივი ფუნქცია აკისრია მუდმივად მოქმედ *სამეურნეო ანგარიშზე* მყოფ საიჯარო ს.-ს. ო-ს, რ-ებიც დამკვეთ საწარმოებს (ორგანიზაციებს) ხელშეკრულების მიხედვით უსრულებენ სამუშაოს, მეორე შემთხვევაში კი საკუთარი საჭიროებისათვის სამუშაოს უშუალოდ ასრულებენ მშენებელი ს.-ს. ო. 1918—40 წწ. განმავლობაში ს.-ს. ო-ის მიერ შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა 40, 1 მლრდ. მან., მ. შ. საიჯარო წესით — 15, 4 მლრდ. მან. (შესრულებული სამუშაოს 38%). 1982 ამ ორგანიზაციებმა შეასრულეს 69,9 მლრდ. მან. მოცულობის სამუშაო, მ. შ. იჯარა-ჩაბარების წესით 60,8 მლრდ. მან. (87%). 1982 სახელმწ., კოოპ. და მეურნეობათშორისმა საიჯარო ს.-ს. ო-ის რაოდენობამ შეადგინა 32 282 ერთეული (1965 წ. — 14246; 1975 — 26948), მ. შ. სახელმწიფო ს.-ს. ო-მა — 27 479, ხოლო მეურნეობათშორისმა ს.-ს.ო-მა 4375 ერთეული. სახელმწ. ს.-ს. ო-ის საერთო რიცხვიდან სპეცი-

ალიზებულია 13032, რ-თა ხვედრითი წონა შესრულებულ სამუშაოში 61%-ია.

საქ. სსრ-ში სახელმწ. პირველადი საინჟარო ს.-ს. ო-ის რაოდენობამ 1981 შეადგინა 508 ერთეული. მათ საკუთარი ძალებით შეასრულეს 1112,0 მლნ. მან. საინჟარო სამუშაო, ხოლო მეურნეობათშორისმა სამშენებლო ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით შეასრულეს 44,1 მლნ. მან. სამუშაო. სამეურნეო რეფორმის პირობებში ფართოვდება ს.-ს. ო-ის უფლებები. 1979-თვის დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების სისტემაზე გადასული იყო 306 საინჟარო ორგანიზაცია ანუ ყველა საინჟარო ორგანიზაციის 65%, რ-ებმაც ალნიშნულ პერიოდში შეასრულეს 508,9 მლნ. მან. სამუშაო (63%).

ს.-ს. ო-ის განვითარების პერსპექტიული მიმართულებაა მათი შემდგომი კონცენტრაცია ტერიტ. სამშ.-სამონტაჟო, საპროექტო-სამშ. სამეცნ.-წარმოებრივი და სხვა ტიპის გაერთიანების საფუძველზე.

ჯ. კახნიაშვილი.

საინჟინრო სამუშაოები, საწარმოო პროცესთა ერთობლიობა, რ-იც სრულდება სამშენებლო მოედანზე შენობა-ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან შეკეთება-აღდგენის მიზნით. ს. ს. ორგვარია: საერთო-სამშენებლო და სპეციალური. საერთო-სამშენებლო სამუშაოთა პროდუქციაა შენობა-ნაგებობათა ნაწილები და კონსტრუქციები. ცალკეულ სამუშაოთა სახელწოდება დაკავშირებულია ძირითად მასალასთან (ქვის, ბეტონის, ხის, მიწის ს. ს.), შესრულების მეთოდთან (მაგ., ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციების მონტაჟი), დანიშნულებასთან (მაგ., მოპირკეთების ს. ს.) და ა. შ. სპეც. ს-ს ასრულებენ სპეც. დანიშნულების ნაგებობებისა და კონსტრუქციების ასაგებად (ტექნოლ. დანადგარების საძირკვლები, საქარხნო მილები, გვირაბები და სხვ.), სხვადასხვა დანიშნულების ქსელებისა და სისტემების მოსაწყობად (წყალსადენი, გათბობა, ვენტილაცია, სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოები), სპეც. იზოლაციის შესაქმნელად (ღუმელის ამოგება, მილსადენის იზოლაცია) და ა. შ. ს. ს-ს, რ-ებიც გარემოს დაბალი და უარყოფითი ტემპერის პირობებში შესრულების დროს მოითხოვს სპეც. ხერხების გამოყენებას, ზამთრის სამუშაოებს უწოდებენ; ასეთებია: ბეტონის, წყობის, საბათქაშე, მიწისა და სხვა ს. ს.; ს. ს-ს, რ-თა შესრულების ნატურალური შემოწმება შეუძლებელია მზა შენობა-ნაგებობათა ექსპლუატაციაში ჩაბარებისას, ფარულ სამუშაოებს უწოდებენ (მაგ., *გრუნტის გამაგრება*, რკინაბეტონის სამუშაოებში არმატურის დაფარვა ბეტონით და სხვ.). განასხვავებენ ს. ს-ის შემადგენელ მთავარ, დამხმარე და სატრანსპ. პროცესებს, ხოლო ტექნოლ. სირთულით— უმარტივეს, მარტივსა და რთულ (კომპლ.) პროცესებს. უმარტივეს და მარტივ პროცესებს ასრულებს ერთი სპეციალობისა და სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშათა ჯგუფი (რგოლი, სპეც. ბრიგადა), კომპლ. პროცესს — სხვადასხვა სპეციალობისა და კვალიფიკაციის მუშები (კომპლ. ბრიგადა).

შრომისნყოფიერების ამაღლებისა და მუშაობის პირობების შემსუბუქების მიზნით ს. ს. მაქსიმალურად უნდა იყოს მექანიზებული (სამშენებლო მანქანების, ავტომატიზაციის საშუალებათა და მექან. იარაღების გამოყენებით) და ხორციელდებოდეს შრომის მეცნ. ორგანიზაციის პრინციპების საფუძველზე. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მთავარი მიზანია ს. ს-ის გარდაქმნა მექანიზებულ უწყვეტ პროცესად.

ს. ს-ს ასრულებენ მიმდევრული, პარალელური და ნაკადური მეთოდებით. ყველა შემთხვევაში უნდა შეირჩეს ყველაზე ხელსაყრელი (ოპტიმალური) მეთოდი, რ-საც საფუძვლად უდევს წინასწარი დაპროექტება (სამუშაოთა წარმოების პროექტი, ტექნოლ. რუკა, შრომის პროცესების რუკა).

ლიტ.: ნინუა გ., ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი, თბ., 1964; სამშენებლო სამუშაოთა წარმოება, გ. ნინუას რედაქციით, ნაწ. 1—2, თბ., 1965—67; **Технология строительного производства,** под ред. О. О. Литвинова, К., 1977.

გ. ნინუა.

საინჟინრო ფიზიკა, ისეთი სამეცნიერო დისციპლინების (გამოყენებითი *ფიზიკის* დარგების) ერთობლიობა, რ-თა დანიშნულებაა მშენებლობასა და შენობა-ნაგებობათა ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ფიზიკური მოვლენებისა და პროცესების განხილვა და შესაბამისი საინჟინრო გაანგარიშებათა მეთოდების შექმნა. ს. ფ-ის ძირითადი და ყველაზე განვითარებული დარგებია *სამშენებლო თბოტექნიკა*, *სამშენებლო აკუსტიკა*, სამშენებლო *შუქტექნიკა*. ვითარდება აგრეთვე ს. ფ-ის სხვა დარგებიც — სამშენებლო კონსტრუქციებისა და საშენი მასალის ხანგამძლეობის თეორია, სამშენებლო კლიმატოლოგია, სამშენებლო აეროდინამიკა. შენობა-ნაგებობათა სიმტკიცის, სიხისტისა და მდგრადობის საკითხებს განიხილავს გამოყენებითი ფიზ. განსაკუთრებული დარგი — *სამშენებლო მექანიკა*.

ს. ფ-ის ამოცანების გადაწყვეტის დროს იყენებენ: დადგენილი ზოგადი კანონზომიერებების საფუძველზე ჩატარებულ თეორ. გაანგარიშებებს, *მოდელირების* მეთოდებს, კონსტრ. ელემენტების ლაბორ. გამოკვლევებს, აგებულ ობიექტებთან დაკავშირებულ ნატურულ დაკვირვებებსა და გაზომვებს. ს. ფ-ის მონაცემები საფუძვლად ედება სამშენებლო ობიექტების რაციონალურ დაპროექტებას, რ-იც უზრუნველყოფს აუცილებელი საექსპლუატაციო პირობების დაცვას ამ ობიექტების მოცემული გამოსადეგობის ვადის განმავლობაში. ს. ფ-ში დამუშავებული გაანგარიშებისა და გამოცდის მეთოდები საშუალებას იძლევა შეფასდეს მშენებლობის ხარისხი (როგორც ობიექტების დაპროექტების სტადიაზე, ისე მათი აგების შემდეგ). განსაკუთრებით არსებითია სამხრ. რ-ებისათვის სამშენებლო ობიექტების საინსოლაციო, მზის რადიაციის, სითბური და ბიოლ. პირობების შესწავლა, ქალაქების საჰაერო აუზების გაჭუჭყიანების წყაროების გამოვლინების საფუძველზე სანიტ.-ჰიგიენური რეჟიმის ოპტიმალური ნორმების დადგენა.

ს. ფ., როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში. სსრკ-ში პირველი კვლევითი სამუშაოები ამ დარგში ჩაატარეს 30-იან წლებში. ამჟამად ს. ფ-ის თეორ. და ექსპერ. საკითხებზე მუშაობს მოსკ. სამშენებლო ფიზიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, თბილ. ექსპერ. დაპროექტების ზონალური სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და სხვ. განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა ს. ფ. ისეთ სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ფართო აგებასთან დაკავშირებით, რ-ებშიც გამოყენებულია ინდუსტრ. შემსუბუქებული კონსტრუქციები და ახ. საშენი მასალა. საბჭ. მეცნიერებმა პირველად დაამუშავეს შენობათა შემომზღუდი კონსტრუქციების თბომდგრადობის თეორია, კონსტრუქციების ტენიანობის მდგომარეობისა და მათი ჰაერშეღწევადობის გაანგარიშების მეთოდები და სხვ.

სრულაწყობილი მშენებლობის მასშტაბების გაფართოებამ მოითხოვა სამშენებლო კონსტრუქციებისა და საშენი მასალის *ხანგამძლეობის* დარგში კომპლ. გამოკვლევების ჩატარება, რაც საფუძვლად დაედო ხანგამძლეობის თეორიის დამუშავებას. საშენი მასალის (ბეტონის, აგურისა და მისთ.) სტრუქტურულ-მექან. თვისებები დამოკიდებულია გამოწვის, შრობისა და თბურტენური დამუშავებისას სითბოსა და ტენის გადატანის პროცესებზე. ამ თვალსაზრისით ტექნოლ. პროცესების რეჟიმის შეცვლით შეიძლება მნიშვნელოვნად ამაღლდეს მასალის ხარისხი. გარე ზემოქმედებას შენობაზე და მის კონსტრუქციებზე სწავლობს ს. ფ-ის ცალკე დარგი — სამშენებლო კლიმატოლოგია. უმრავლეს შემთხვევაში ეს ზემოქმედება კომპლექსურია. ამ დარგის ინტენს. განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა კლიმ. პირობებში მშენებლობის მოცულობის ზრდა. ს. ფ-ის კიდევ ერთი ცალკე დარგია სამშენებლო აეროდინამიკა, რ-იც სწავლობს შენობა-ნაგებობებზე ქარისა და ჰაერის სხვა ნაკადების ზემოქმედებას.


ს. ფ-ის შემდგომი განვითარების პერსპექტივები დაკავშირებულია სამეცნ. კვლევის ახ. მეთოდების (ულტრაბგერის, ლაზერული გამოსხივების, გამა-სხივების, რადიოაქტ. იზოტოპებისა და სხვ.) გამოყენებასთან.

ლიტ.: Гусев Н. М., Климов П. П., Строительная физика, М., 1965.

გ. ჩიმაკაძე.

საინჟინრო შუქტექნიკა, იხ. *შუქტექნიკა.*

საინჟილდე, ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი აღმ. საქართველოში, ახლანდ. სოფ. სამშვილდის მახლობლად (თეთრი წყაროს რ-ნი) ისტ. ქვემო ქართლში. შემორჩენილია ნანგრევების სახით. ქალაქისათვის შერჩეული იყო მდ. ჭივჭავისა და ხრამის (ქცია) შესართავში მდებარე ბუნებრივად გამაგრებული კონცხი, რ-ის ორ მხარეს კლდოვანი, შვეული ხრამებია, მესამე მხარეს გალავანი შემოუყვებოდა. ქართ. ეროვნული ტრადიციის თანახმად ააშენა ქართველთა ეპონიმმა ქართლოსმა. მისი თავდაპირველი სახელწ. „ციხე ორბისა". ისტ. წყაროებში მოხსენიებულია აგრეთვე მთავარი ციხის ზოგადქართული სახელწოდებით — „დედაციხედ". ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV—III სს.) წარმოადგენდა სამშვილდის საერისთავოს ცენტრს; დროდადრო იგი უფლისწულთა სამყოფელი იყო. VIII—IX სს-ში ს. *თბილისის საამიროს* ექვემდებარებოდა. IX ს. ბოლოს *ანისის სამეფო* დაეუფლა. X ს. დასაწყისში მთავარი *გურგენი* შეეცადა ს-ის განთავისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. X ს. ბოლოს ს. გახდა *ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს* დედაქალაქი [ამის გამო ქართ. წყაროებში სომეხი მეფე დავითი (989—1049) სამშვილდარად იხსენიება]. 1001 ს. დაიპყრო ანისის მეფემ *გაგიკ I-მა*. 1064 სომეხთა მეფემ კვირიკე II-მ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი ს-იდან ლორეში გადაიტანა. XII—XIII სს. ქართ. და სომხ. წყაროებში ს. ეწოდება აგრეთვე ციხე-ქალაქის მიმდებარე ტერიტორიას — „ყოველი სამშვილდე". ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ს-ის სამხ.-პოლიტ. მნიშ-



ენელობა; ქვემო ქართლის მრავალი ციხესიმაგრე ცნობდა მის პირველობას. ს-ის ეკონ. დაწინაურებას ხელს უწყობდა მისი მდებარეობა მთისა და ბარის რაიონების დამაკავშირებელ მაგისტრალზე. XI ს. 60-იან წლებში ს. ბაგრატ IV-მ დაიბრუნა. 1110 დავით IV აღმაშენებელმა თურქსელჩუკთაგან გაათავისუფლა და შემოიერთა (იხ. *სამშვილდის შემოერთება*). XII ს-ში ს-ს ორბელთა ფეოდ. საგვარეულო ფლობდა და საქართვ. ამირსპასალარის რეზიდენცია იყო. ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1178) უშუალოდ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა; იგივე სტატუსი ჰქონდა ს-ს მონღოლთა ბატონობის ხანაში (XIII—XIV სს). XV ს-იდან ს. ბარათაშვილთა სათავადოს ცენტრი იყო. *ვახუშტი ბატონიშვილის* (XVIII ს.) ცნობით, ს. XVII ს. II ნახევრამდე ქალაქი იყო, შემდეგ მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქცია შერჩა. ნაქალაქარში მრავალი საფორტიფიკაციო, საკულტო და სხვა დანიშნულების შენობათა ნანგრევებია, რ-თაგან ყველაზე მნიშვნელოვანია VIII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, ცენტრალურ-გუმბათოვანი დიდი საეპისკოპოსო ტაძარი ს-ის სიონი. ტაძარი დანგრეულია, შედარებით უკეთ არის შემონახული აღმ. ნაწილი. აღმოსავლეთის ფასადზე დაცული გრძელი წარწერის ფრაგმენტებში მოთხრობილია ტაძრის აშენების ისტორია, მოხსენიებული არიან ისტორიული პირები — ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V კოპრონიმე და ლეონ IV ხაზარი. ამის საფუძველზე შესაძლო გახდა ტაძრის აგების ზუსტი თარიღის დადგენა— 759—777 (ეს წლები საქართველოში არაბთა ბატონობის განსაკუთრებით სასტიკი ხანაა). IV—VII სს. ქართ. არქიტექტურასთან ს-ის სიონი დაკავშირებულია ხუროთმოძღვრული დეტალების დამუშავების ხასიათით, მკაცრი ფორმებითა და პროფილებით, თლილი ქვით მოპირკეთებული კედლების ფართოდ გაშლილი სიბრტყეებით, მორთულობის სიმკაცრით. ყველაზე მეტად ს-ის სიონი *წრომის* ტაძარს ენათესავება. ტაძრის გეგმა აქაც აღმ-იდან დას-კენ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. მის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია აფსიდებიანი საკურთხეველი, სადიაკვნე და სამკვეთლო, გუმბათი 4 თავისუფლად მდგარ სვეტს ეყრდნობოდა, მაგრამ წრომისაგან განსხვავებით ს-ის სიონში გეგმა გართულებულია — სამხრ-ით და ჩრდ-ით ტაძარს გასდევდა გრძელი გალერეები, რ-თაც აღმ-ით დამოუკიდებელი ეგვტერები ჰქონდათ. ს-ის სიონი გარეგნულადაც ჰგავს წრომის ტაძარს. აქაც აღმოსავლეთის ფასადზე, შუა სარკმლის ორივე მხარეს, თითო ნიშია, მაგრამ დამატებულია ნიშების კიდევ ერთი წყვილი. ტაძრის აღმ-ით დგას შუა საუკ. დარბაზული ეკლესია, დას-ით სამნავიანი ბაზილიკა, ორივე ნაგებობაში გამოყენებულია ს-ის სიონის ტაძრის ქვები.

1968—70 ნაქალაქართან გაითხარა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის *მტკვარ-არაქსის კულტურის* ადრეული საფეხურის ნამოსახლარი და სამაროვანი. კარკნალის მთის სამხრ. კალთაზე გამოვლინდა ნამოსახლარი. სოფელს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჰქონია, კერძოდ, ინტენს. მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ფართობი. გაითხარა 2 კულტ. ფენა. ნაგებობები ფერდობზე ყოფილა განლაგებული. I ფენის (ძვ. წ. IV ათასწლ. შუა ხანა) შენობათა კედლები დანგრეული იყო. აქ ნაპოვნი კერამ. ნაწარმი (სხვადასხვა ტონალობის ღია ფერის თიხის ჭურჭელი) გამოირჩევა ფორმების სისადავით და არშიულობით. ნაპოვნია ობსიდიანის სხვადასხვა იარაღი და ანატკეცები, რ-ებსაც გამოყენების კვალი ემჩნევა (ზოგი მათგანი რეტუშირებულია.). II ფენაში (ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყ.) აღმოჩნდა წრიული გეგმის მქონე საკულტო დანიშნულების შენობის სამმაგი კედლის ქვის ნახევარწრიული საძირკველი. გამოვლინდა სამეურნეო ორმოები. კერამ. ნაწარმს გარკვეული კავშირი აქვს I ფენის ჭურჭელთან და ისეთია, როგორც სამაროვანზე ნაპოვნი ჭურჭელი. ჭარბობს მუქი და შავი ფერის კერამიკა. ჩნდება ჭურჭლის ნახევარსფერული ყურები და სხვ. ამავე ფენაში აღმოჩნდა ობსიდიანის ყუნწიანი ისრისპირი, ანატკეცები (უმეტესობას ემჩნევა გამოყენების კვალი) და ხელსაფქვავის ქვები. ვარაუდობენ, რომ ს-ში (შუა ფეოდ. ხანა, როცა ს. ქალაქი იყო) ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი ცენტრი (თიხის ჭურჭლის, ფაიანსის, მინის ჭურჭლისა და სამკაულის სახელოსნოები) არსებობდა.

ს-ში გამოვლენილი სამარხები (O—W და N—S დამხრობის) განლაგებული იყო 4 რიგად და წარმოადგენდა უმთავრესად ქვის ფილებისაგან ან ლოდებისაგან ორმოში ნაგებ დიდ ოთხკუთხა აკლდამებს. ეს იყო საოჯახო, კოლექტ. სამარხები. მიცვალებულები ხელფეხმოკეცილი ესვენა. 2 აკლდამა ეკუთვნოდა კულტის მსახურს. მათში აღმოჩნდა ობსიდიანის „ფანჯრიანი", აგრეთვე ასტრალურ-სიმბოლოებიანი ჭურჭელი, ბრინჯაოს სპირალური თავიანი საკინძი და სხვ. სამაროვანზე ნაპოვნია სპირალური სასაფეთქლე რგოლები და მრავალხვიანი საკიდები. აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ნამოსახლარის II ფენაზე გამოვლენილი კერამიკის მსგავსია. აქვე მიკვლეულია ფეოდ. ხანის 5 სამარხი.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979; მირცხულავა გ., სამშვილდე, თბ., 1975; მუსხელიშვილი ლ., სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; Чубинашвили Н., Самшвилдский Сион, Тб , 1969.

დ. მუსხელიშვილი. ვ. ბერიძე. ე. გოგაძე.

სამშვილდე, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (დაღეთის სოფსაბჭო), თეთრი წყაროს პლატოზე, მდ-ების ხრამისა და ჭივჭავის შესართავთან. ზ. დ. 860 *მ*, თეთრი წყაროდან 4 *კმ*. თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა, ქვის კარიერი. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

სამშვილდის შემოერთება 1110, სამეფო ხელისუფლების მიერ საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება-ცენტრალიზაციისათვის გატარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. 1110 *დავით IV* აღმაშენებელი ლიხთ-იმერეთს გადავიდა, რითაც მტრის ყურადღება მოადუნა. ამ დროს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა თავისი დისწულის თეოდორეს, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალის *აბულეთისა* და ივანე *ორბელის* დახმარებით მტერს სამშვილდე წაართვა. სამშვილდე ძლიერი ციხე იყო და სამხრეთიდან ამაგრებდა თბილისს. ამასთან სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე გადიოდა. საქართველოს ფეოდ. მონარქიის მიერ ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის შეერთებამ სელჩუკებს თავზარი დასცა, ციხეები დატოვეს და გაიქცნენ. სამშვილდესთან ერთად ამავე წელს საქართველოს შეუერთდა სომხითის ბევრი ციხე.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: მეტრეველი რ., დიდნი საქმენი (XI ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1978; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

რ. მეტრეველი.

სამშობიარო სახლი სსრკ-ში, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რ-იც კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფს ქალს *ორსულობის, მშობიარობისა* და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აგრეთვე გინეკოლ. დაავადებების დროს და ახალშობილს — ს. ს-იდან გაწერამდე. ს. ს-ის შემადგენლობაში შედის ქალთა კონსულტაცია და სტაციონარი, რ-ის მთავარი განყ-ებებია: მიმღებ-გამშვები ბლოკი; ფიზიოლ. (I) სამეანო განყ-ბა ქალებისათვის, რ-ებსაც აქვთ პათოლ. ორსულობა; საობსერვაციო (II) სამეანო განყ-ბა ინფექციური სნეულებით დაავადებული ორსულებისათვის; I და II სამეანო განყ-ბების პალატები ახალშობილებისათვის; გინეკოლ. განყ-ბა ორსულებისათვის. რ-ებსაც აქვთ გულისსისხლძარღვთა დაავადებანი, დიაბეტი, *რეზუს-ფაქტორის* მიხედვით დედისა და ნაყოფის სისხლის შეუთავსებლობა, აგრეთვე ნაადრევი მშობიარობის სიმპტომები და სხვ. არსებობს აგრეთვე სპეციალიზებული ს. ს-ები, საკოლმ. ს. ს-ები და სხვ.

„სამშობლო", ქართული გაზეთი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა. გამოდის 1956-იდან თბილისში, თვეში 2-ჯერ. თავდაპირველად „სამშობლოში დაბრუნებისათვის" ერქვა. შემდეგ — „სამშობლოს ხმა", 1971-იდან— „ს." გაზეთის საპატიო დანიშნულებაა სამშობლოს მოწყვეტილ თანამემამულეებს შეუნარჩუნოს და გაუღვივოს სამშობლოსადმი პატივისცემა, დედაენისადმი სიყვარული, გააცნოს მისი წარსული, აწმყო, მომავალი. „ს." აშუქებს საქ. სსრ ისტ., ეკონ., პოლიტ. და კულტ. განვითარების საკითხებს. ბეჭდავს ქართ. ლიტ-რის, ხელოვნ., მუს. ნიმუშებს, ფოტომასალას. თანამშრომლობენ რესპ. პოლიტ. და საზ. მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები და სხვ., აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები. გამოსცემს სარედაქციო კოლეგია. რედაქტორები: 1956-იდან ვ. ესვანჯია, 1972-იდან — გ. კარბელაშვილი.

გ. კარბელაშვილი.


სამშობლოს ღალატი, ქმედობა, რ-საც სსრკ მოქალაქე განზრახ ჩაიდენს სსრკ-ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სამხედრო ძლიერების საზიანოდ. ს. ღ. შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა, სახელმწ. ან სამხ. საიდუმლოების გაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთ გაქცევა ან საზღვარგარეთიდან სსრკ-ში დაბრუნებაზე უარის თქმა და სხვ. (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 65). ს. ღ. ერთ-ერთი განსაკუთრებით საშიში *სახელმწიფო დანაშაულია*. ს. ღ-თვის სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა 10-იდან 15 წლამდე და ქონების კონფისკაცია (ამ სასჯელს შეიძლება დაემატოს გადასახლება 2-იდან 5 წლამდე) ან სიკვდილი და ქონების კონფისკაცია.

სისხლისსამართ. პასუხისმგებლობა არ ეკისრება სსრკ მოქალაქეს, რ-იც უცხოეთის დაზვერვამ გადაიბირა სსრკ-ის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, მაგრამ მან მიღებული დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად არავითარი მოქმედება არ ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის დაზვერვასთან თავისი კავშირის შესახებ. *გ. ტყემალაძე.*

სამცხე, ისტორიული მხარე სამხრ. საქართველოში. მოიცავს ახლანდ. ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რ-ნებისა და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიულ ნაწილს (ისტ. რეგიონები: ყველისხევი, წურწყაბი, ფოცხოვისა და ჯაყისწყლის მიმდებარე ტერიტორიების დიდი ნაწილი). სახელწ. „ს." წარმოდგება მესხთა ტომის სახელისაგან (სა-მესხე, სა-მცხე). არის მოსაზრება, რომ ამ მხარეს ადრე ეწოდებოდა *ოძრხე*. ს-ის ისტ. საზღვრებია: დას-ით









სამშვილდე. თიხის ჭურჭელი № 17 სამარხიდან (1—2) № 20 სამარხიდან (3—4). ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევარი. საქ. სსრ სახ. მუზეუმი. თბილისი.

არსიანის მთები, ჩრდ-ით ფერსათის (ღადოს) მთები, სამხრ-ით ერუშეთის მთები, კასრის სერი, გუმბათისა და ვანის მთები, აღმ-ით ჭობისხევი (მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი). ს-ის უმველესი ცენტრებია ოძრხე და აწყური (აქ იყო ს-ის ერთ-ერთი მთავრის — სამძივარის რეზიდენცია). ს. იყოფოდა ხეევებად (შუა საუკ. ადმ.-ტერ. ერთეული). XI ს. 40—50-იან წლებში ს. მსხვილ ფეოდალს ლიპარიტ ბაღვაშს ემორჩილებოდა, შემდგომში კი კვლავ სამეფო ხელისუფლებას. ამ პერიოდში დაწინაურდა ცენტრ. ხელისუფლების ერთგული ფეოდალი სულა კალმახელი (იხ. *სულა კალმახის ერისთავი*), რ-ისგანაც სათავეს იღებს ს-ის მთავართა — ჯაყელ-ციხისჯვარელთა ფეოდ. სახლი. მონღოლთაგან ს-ის დაპყრობის შემდეგ, 1266, მთავარი *სარგის ჯაყელი* „ხასინჯუს" სისტემით უშუალოდ მონღოლებს დაემორჩილა. XII—XIV სს. ს-ის ეკონ. და კულტ. აყვავების ხანაა. აშენდა ტაძრები: საფარა, ზარზმა, ბიეთი, ჭულე; შეიქმნა სამართლის წიგნი (ე. წ. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი). XVI ს-თვის ს-ში 2 საეპისკოპოსო იყო — აწყურისა და წურწყაბის. XIV ს. I ნახევარში ს-სა და მომიჯნავე ტერიტორიაზე იქმნება მსხვილი ფეოდ. პოლიტ. ერთეული *სამცხე-საათაბაგო*.

XVI ს. II ნახევარში ს. თანდათან იქნა დაპყრობილი ოსმალეთის მიერ. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1828—29) შედეგად ს-ის ერთი ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე). თბ., 1975; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

დ. ბერძენიშვილი.


სამცხე-საათაბაგო, ფეოდალური სამთავრო სამხრ.-დას. საქართველოში XIV ს. I ნახევრიდან XVII ს. 20-იან წლებამდე. წარმოიქმნა ადრინდ. სამცხის სამთავროს გაზრდისა და გაფართოების საფუძველზე. (სამცხის გამგებლებს ერისთავობასთან ერთად მინიჭებული ჰქონდათ სპასალარობაც). მონღოლებმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ აღნიშნული მხარე ერთ დუმანში მოაქციეს და ჯაყელთა გვარის ძვ. ერისთავებს დაუმორჩილეს. 1266 სამცხის სამთავრომ სამეფო კარისაგან შეუცვალობა მოიპოვა, იგი ყაენის სახასო მამულად ანუ „ხასინჯუად" აღირიცხა — ულუსიანი გახდა. სამცხის სამთავრომ მოახერხა განვითარების მაღალი დონის შენარჩუნება და ტერიტ. შემდგომი გაზრდაც. მისი სოც.-პოლიტ. წყობა და საზ. ურთიერთობა ძირითადად საქართველოს ბარის სხვა მხარეთა მსგავსი იყო.

XIII ს. 80-იან წლებში სამცხის სამთავროს ფარგლებში შედიოდა: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი, აჭარა, „კარული ქვეყანა" (ყარსის რეგიონი) და სპერი. სამთავროს საზღვრები ტაშისკარიდან არზრუმამდე და შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. ძირითადი რეზიდენცია იყო ქ. ახალციხე. „ხასინჯუად" ყოფნის დროს სამცხის მთავრები ფორმალურად საქართვ. სამეფოს სამოხელეო ტიტულებსაც ატარებდნენ (მანდატურთუხუცესობა და სხვ.). საქართველოდან ფაქტობრივად გათიშული სამთავრო შემოიერთა მეფე *გიორგი V-მ*, რ-იც სამცხის მთავარ ბექას (1285—1306) შვილიშვილი და მისივე აღზრდილი იყო. გიორგიმ სარგის ბექას ძეს (1306—1334) სპასალარობა დაუბრუნა, ათაბაგობის პატივიც უწყალობა და ამგვარად შემოიმტკიცა. 1334, სარგისის სიკვდილის შემდეგ, როცა სამცხის სამთავროს ტახტზე გიორგი მეფემ ყვარყვარე I დაამტკიცა, ათაბაგობაც მასვე უბოძა. ს.-ს. საქართვ. განუყოფელი ნაწილი გახდა. ჯავახეთის შემოერთების შემდეგ (XV ს.) იგი მთელი მესხეთის ტერიტორიაზე გაიშალა. თუ ადრე სამცხის ერისთავები თავიანთ უფლებას „სრულიად სამცხეკლარჯეთზე" სპასალარობით ახორციელებდნენ, ახლა „ყოველთა მესხთა" ათაბაგობით ფლობდნენ. ტერმ. „ათაბაგ მა" შინაარსი იცვალა. იგი ამ მხარის თავადი გახდა, ს.-ს. კი — მთელი მესხეთის სინონიმი.

თემურლენგის ურდოებმა ივანე ათაბაგის (1391—1444) დროს ს.-ს. რამდენჯერმე აიკლეს. შემდეგ თანდათან ივანემაც გამოამეღავნა სეპარატული ტენდენციები. თურქების მხრივ საფრთხის მომიზეზებით მესხეთის ლაშქარი არ მიაშველა მეფე ალექსანდრე I-ს, რ-იც 1415 დას. საქართველოში სალაშქროდ მიდიოდა. ურჩი ათაბაგი მეფემ დაატყვევა, მაგრამ შემდეგ ფიცი დაადებინა და შეიწყალა. სამთავროს გამოყოფისათვის ენერგიულად იბრძოდა ათაბაგი ყვარყვარე II (1451—1498). მეფემ 1465 ურჩი ქვეშევრდომის დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ სამცხეში გიორგი VII დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ასევე დამარცხდა 1483 არადეთს ყვარყვარე II-თან ბრძოლაში მეფე კონსტანტინე II. სეპარატისტ ათაბაგთა მიერ წამოწყებული ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, XV ს. დასასრ. ს.-ს. დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა.

ათაბაგ მზეჭაბუკ ყვარყვარეს ძემ (1500—15) არ იკმარა პოლიტ. სეპარატიზმი და ეროვნ.-კულტ. ერთიანობის წინააღმდეგაც დაიწყო ბრძოლა. მისი წყალობით ეპისკოპოსი თანდათან თურქთა ფორპოსტად იქცა. 1510 სამცხის გზით თურქებმა იმერეთი დალაშქრეს. 1535 იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ლუარსაბ I-თან შეთანხმებით ილაშქრა მესხეთში. ქვეყნის ერთიანობის მომხრე ძალების მხარდაჭერით ბაგრატმა ათაბაგი ყვარყვარე III სოფ. მურჯახეთთან (ახალქალაქის ახლოს) ბრძოლაში დაამარცხა, დაატყვევა და ს.-ს. გააუქმა. სამთავროს დიდი ნაწილი იმერეთის სამეფოს შეუერთა, ჯავახეთი ლუარსაბ I-ს დაუთმო. ამ დროს ს.-ს-ს ფეოდალმა თთარ შადიკაშვილმა ტახტის ახალგაზრდა პრე-

სამცხე-საათაბაგო XV-XVI სს-ში



რუკის ავტორი ა თორდია

ტახტენტი ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე სტამბოლში გააპარა ოსმალებმა ისარგებლეს გართულებული მდგომარეობით და საათაბაგოს სამხრ პროვინციების დაპყრობას შეუდგნენ. აქეთკენ გამოემართა ირანის შაჰი თამაზიც 1543 სულთანმა სულეიმანმა ს.-ს.-ს დასაპყრობად 22.000 მეომარი გაგზავნა. ქართველებმა მტერი ქარაღაქთან დაამარცხეს 1545 სულთანის ლიდმა ლაშქარმა სოფ. სოხოისტასთან (ბასიანში) დაამარცხა ქართველთა ჯარი და *ქაიხოსრო II* (1545–1573) ათაბაგი გახდა. ამის შემდეგ (1547) ქაიხოსრო II-მ ოსმალებს ზურგი შეაქცია. ირახში ჩავიდა და ლუარსაბ I-ის მიერ დაკავებული ჯავახეთის დაბრუნება ითხოვა. ამ საბაბით ირანის შაჰმა თამაზმა ჯავახეთში ილაშქრა. ლაშქრობებმა ს.-ს.-ს დიდი ზიანი მიაყენა (ერთ-ერთი ლაშქრობის დროს გაძარცვეს ჯარძიის მდიდარი მონასტერი). საპასუხოდ 1549 საათაბაგოში ოსმალი დამპყრობლები შეიჭრნენ, ციხესიმაგრეები აიღეს და ქვეყანა აიკლეს. ათაბაგთა სპარსული ორიენტაცია იმით იყო გამოწვეული, რომ ირანი მაშინ მესხეთის ვასალობას მეხარკეობის საფუძველზე სჯერდებოდა, ოსმალეთი კი საათაბაგოს შეერთებისათვის იბრძოდა.

1555 ქ. ამასიაში დადებული ზავის საფუძველზე ირანმა და ოსმალეთმა ს.-ს. შუაზე გაიყვეს. მისი დას. ნაწილი — ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი) ერგო ოსმალეთს, ხოლო აღმ. ნაწილი — სამცხე-ჯავახეთი, არტაანი (მტკვრის აუზი) — ირანს. ზავის მიუხედავად, ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა საათაბაგოს აღმ. ნაწილის დაკარგვას. 1578 დაიწყო ირან-ოსმ. მეორე ომი. საქართველოსკენ დაიძრა ოსმალთა სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა. ჩილდირთან ბრძოლაში სპარსელები დამარცხდნენ. მალე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ქართლის მეფე სიმონ I. თურქებმა მესხეთი დაიპყრეს, მერე კი მთელი კავკასიაც დაიმორჩილეს. სამცხის დაპყრობილ ტერიტორიაზე *ახალციხის საფაშო* შექმნეს. გამაჰმადიანებულ მანუჩარ ქაიხოსროს ძეს ფაშობა მისცეს. 1590 ზავით ირანმა ცნო ოსმალთა უფლება ამიერკავკასიაზე. 1625 ს.-ს-მ, როგორც პოლიტ. ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა. ოსმალთა აგრესიის შედეგები ყველაზე მძიმე ს.-ს-თვის აღმოჩნდა. 1595 დაპყრობილი მხარე აღწერეს და *გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი* შეადგინეს მიწის მფლობელობის ქართ. წესი ოსმ. წესით შეცვალეს, მიწის დროებით მფლობელად სამხ. ვალდებული გამოცხადდა სამხ. ვალდებული კი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. დაპყრობილი სამთავრო სანჯაყებად (სადროშოებად) დაყვეს

ს.-ს. თავისი ტერიტორიით საქართველოს ერთ მესამედ ნაწილს შეადგენდა. კულტ. თვალსაზრისით მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თემურლენგის შემოსევების შემდეგაც კი კულტ.-აღმშენებლობითი მუშაობა არ შეწყვეტილა. XIII–XIV სს-ში საათაბაგოში შეიქმნა ქართ. ფეოდ. სამართლის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა *ყოვლისავე*", რ-იც დაიწყო ბექა მანდატურთუხუცესმა და დაამთავრა მისმა შვილიშვილმა აღბუღამ. ძეგლს შემოკლებით ბექა-აღბუღას სამართალსაც უწოდებენ. მასში აისახა ეპოქისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი მოვლენა. ამ ძეგლს მთელი შუა საუკ. მანძილზე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

საყურადღებო ძეგლია „მესხური დავითნის ქრონიკა" ისეთ დიდ საკათედრალო მონასტრებში, როგორიც იყო: იშხანი, ბანა, ოპიზა, ტბეთი, საფარა, კუმურდო, წყაროსთავი და სხვ., XVI ს. II ნახევრამდე (ზოგან შემდეგაც) არ შეწყვეტილა ტრად. მწიგნობრული საქმიანობა. აქ შეიქმნა მნიშვნელოვანი ძეგლები საფარის მონასტრის ანსამბლებში აგებული წმ. საბას ეკლესია და სამრეკლო (XIII ს.) აღსანიშნავია სახელგანთქმული ანჩისხატის კარედის მოჭედილობა (XIV ს.) ს.-ს.-ს ტერიტორიაზე გამოსირჩეოდნენ ქ-ები ახალციხე, ართვინი, ოლთისი, ახალქალაქი, არტანუჯი, არდანი, ერუშეთი და სხვ. ესენი იყვნენ ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრები. ხელოსანთა სპეციალობის მიხედვით არსებობდა ცალკეული გაერთიანებები, რ-თა სათაყვანო ...უხუცესებად იცნენ (გალატოზთუხუცესი, მკერავთუხუცესი და სხვ.). ხელოსნური დარგებიდან განსაკუთრებით დაწინაურებული იყო მეთუნეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, მეხამლეობა, ოქრომჭედლობა და სხვ. მესხ ვაჭრებს ურთიერთობა ჰქონდათ როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ბაზრებთან (სტამბოლი, თავრიზი, თეირანი, ინდოეთი, ასტრახანი და სხვ.), მსხვილი ვაჭრები ბექა-აღბუღას სამართლის ძალით გათანაბრებული იყვნენ აზნაურებთან.

წყარო. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ 2, 4, თბ., 1959 — 73

ლიტ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ტ. 4, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3 — 4, თბ., 1966 — 67

შ. ლომსაძე.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, შეიქმნა 1937 იანვარში ახალციხეში, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რ-ნის სიძველეთა დაცვის რწმუნებულის კ. გვარამაძის ინიციატივით ცნობილი მოღვაწის ივანე გვარამაძის „ვინმე მესხის" (1831–1912 წწ.) ოჯახში დარჩენილი კერძო კოლექციების, აგრეთვე ახალციხის ეკლესიებისა და ზოგიერთი სხვა პირის კოლექციების ბაზაზე. 1940 მიეკუთვნა აკად. ი. ჯავახიშვილის სახელი. 1976 შეივიდა საქ. სსრ მეცნ. აკად. სისტემაში, როგორც აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ფილიალი. მუზეუმის ფონდებიდან აღსანიშნავია XIII–XIX სს. მდიდარი ხელნაწერები. ამ ხელნაწერებში მიაკვლიეს ვეფხისტყაოსნის ყველაზე ძველი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტს. 1937 შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა პირველი ექსპოზიცია, რ-იც შემდეგ სისტემატურად იცვლებოდა. მუზეუმის ახლანდელი ექსპოზიცია მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან დღემდე და სრულად ასახავს მხარის ისტ. წარსულსა და თანამედროვეობას.

შ. ლომსაძე.

სამეცნარო პროცესი (ი ნ კ ვ ი ზ ი ც ი უ რ ი), სისხლისსამართლებრივი პროცესის ფორმა, რ-ის დროსაც ბრალდების, დაცვისა და სასამართლოს ფუნქციებს ერთი და იგივე ორგანო ასრულებს ე. ი. ყველა ფუნქცია ერთ ხელშია თავმოყრილი. აღმოცენდა შუა საუკუნეებში. თავდაპირველად მხოლოდ საეკლ. სასამართლოში ვრცელდებოდა *მწვალებლობის* საქმეებზე, შემდეგ კი საერო საქმეებიც მოიცვა. მისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ პროცესში არ არსებობდნენ მხარეები, ბრალდებულს არ გააჩნდა პროცესუალური უფლებები, საქმის წარმოება მიმდინარეობდა საიდუმლოდ და წერილობით (წინასწარი გამოძიების წერილობითი მასალების საფუძველზე). შედარებით სრულყოფილ მტკიცებულებად ითვლებოდა თვით ბრალდებულის აღიარება, რისთვისაც ფართოდ იყენებდნენ წამებას. მოწმის ჩვენებას აფასებდნენ იმის მიხედვით, თუ რომელ სოც. ფენას ეკუთვნოდა იგი. ს. პ. საფრანგეთში გაუქმდა 1789, დას. ევრ. სხვა ქვეყნებში — 1848, რუსეთში — 1864.

სამძივარი, ს ა მ ძ ი მ ა რ ი, ქართული ფოლკლორის პერსონაჟი, მითოლოგიური პანთეონის გმირი. ხახმატის ჯვრის დობილი წარმოშობით მატრიარქატის დროინდელი, *დალის* მსგავსი ქალღმერთია. იგი ლამაზია, კეკლუცად ირთვება. ხელსაქმეს მისდევს, აქვს მაქციობის უნარი. გამჟღავნებისას საცხოვრ ადგილს იცვლის. ს ღვთის შვილთა და მახვეწართა კეთილი შუამავალია

ლიტ.: ო ჩ ი ა უ რ ი ი ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1964; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ძ., იარძხული და ქართული მითოლოგიის საკითხები თბ., 1971.

მ. ჩიქოვანი.



სამწევრისი (ქარელის რაიონი). წმ. გიორგის ეკლესია. VII ს. I ნახევარი.

სამძივრები, საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულო XII–XIV სს-ში. სახელწოდება მომდინარეობს მათი მამულის — სამძივრის ხევის (სამცხე) სახელისგან. არსებობს მოსაზრება, რომ ს-ის გვარისგან წარმოდგა თორელების ფეოდ. საგვარეულო (ლ. მუსხელიშვილი). XII ს-ის 80-იან წლებში ს. დამოყვრებიან სამცხის დიდებულებს — *ჯაყელებს*. კრავი *ჯაყელი* ცოლად შეურთავს ერთ-ერთ ს-ს. ს., როგორც ჩანს, ჯაყელებთან ერთად, მიემხრნენ აჯანყებულ *იური ანდრიას ძეს*; აჯანყების დამარცხების შემდეგ კი ისინი ამ აჯანყებაში მონაწილე *გუზან* ტაოსკარელთან ერთად გაიქცნენ შაჰარმენთან (ხლათის მმართველი). XIII ს. შუა წლებში ს. კვლავ ჩანან სამცხეში. ერთ-ერთი ს. შებრძოლებია აბაღა-ხანის წინააღმდეგ აჯანყებულ მონღოლ უფლისწულს თეგუდარს, რ-იც ლიხთ-იმერეთიდან (სადაც დავით ნარინთან იყო შეხიზნული) გადმოსულა სამცხე-ჯავახეთის დასარბევად.

სამცხე-საათაბაგოს თავადების XVI ს. ნუსხაში ს. მოხსენიებულია როგორც სამცხის გადაშენებული ფეოდალური საგვარეულო, რ-თა მამული ამ დროს ეპყრა გოგიბაშვილს.


წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, იქვე; შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი, წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966.

ნ. შოშიაშვილი.


სამწევრისი, სოფელი ბოლნისის რ-ნში (ბოლნისის სოფსაბჭო), მდ. ბოლნისისწყლის (ხრამის სისტემა) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ*, ბოლნისიდან 16 *კმ*. ბოლნისის მსხვ. რკ. საქონლის სასუქი კომპლექსი. მეცენახეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ინჯაში (3 *კმ*), ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი. სოფელში არის ქართული ხუროთმოძღვრების 2 ძეგლი: თეთრი ეკლესია, რ-ის ძირითადი ნაწილი X–XI სს. მიეკუთვნება, მეორე ეკლესია სოფლის თავში დგას და XVI ს-ით თარიღდება.


სამწევრისი, სოფელი ქარელის რ-ნში (კეხიჯვრის სოფსაბჭო), მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 640 *მ*, ქარელიდან 4,5 *კმ*. კეხიჯვრის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. კეხიჯვარში (1,5 *კმ*). ბ-კა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. ს-ში მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. სოფლის მახლობლად, საგანგებოდ მოწყობილ ბაქანზე, აღმართულია ქართ. ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების ხანის (IV–VII სს.) ძეგლი—სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია (VII ს. I ნახ.). უბრალო, მეტყველი და ლაკონიური ფორმები, უზადო პროპორციები და ტექ. შესრულების მაღალი ოსტატობა ამ პატარა და მარტივ ეკლესიას ძვ. ქართ. ხელოვნ. შე-




სამწიფარასებრნი: 1—შავი მაისა (Meloë proscarabaeus), მამალი; 2—თავწითელა ესპანური.










სამჭედლო იარაღი. ხელით საჭედი იარაღი: ა—ერთრქიანი გრდემლი; ბ—სანგი; გ — ხელჩაქუჩი; დ — მრგვალტუჩებიანი გრძივი მარწუხი; ე—მრგვალი სახვრეტელა; ვ—სწორი ღოჯი ცხლად გადაჭრისათვის; ზ — ბრტყელი შესაყელავი; თ—მრგვალი მოსაჭიმი.











სამჭედლო იარაღი. მანქანით საჭედი იარაღი: ა—ბრტყელი საცემები; ბ—ამოჭრილი საცემები; გ—დამრგვალებული საცემები; დ—მოსაჭიმები; ე — საბრტყელებლები; ვ — გამწევები; ზ—ეაზნები

დეერთა რიცხვში აყენებს. ერთნაირი ქვეების თანაბარი წყობით ნაგებ „თავისუფალი ჯგრის“ ტიპის შენობას ერთი აფსიდი და სამი სწორკუთხა მკლავი აქვს. ბეგლის თავისებურებას შეადგენს ის, რომ გუმბათქვეშა კვადრატი მკლავების თაღებს ზემოთაც გრძელდება და ამის გამო გუმბათის საყრდენი ტრომპები მაღლა, უშუალოდ გუმბათის სფეროს ქვეშ არის მოქცეული. ბეგლის მორთულობა ბუნწია და თავშეკავებული. მიწისძვრით სანახევროდ დანგრეული ეკლესია 1952—53 აღადგინეს პირვანდელი სახით (არქიტ. ლ. ხიმშიაშვილი). ეკლესიის სამხრ-ით დგას ქართ. აგურით ნაშენი XVI ს. ერთნავიანი მავზოლეუმი; ცოტა მოშორებით ფეოდალის ციხე-დარბაზის ნანგრევებია (უძველესი სამშენებლო ფენა VIII — IX სს. თარიღდება).

სამწვერა ნერვი (Nervus trigeminus), თავის ტვინის V წყვილი ნერვი, შერეული ხასიათისაა, შეიცავს მგრძნობიარე, მამოძრავებელ და ვეგეტატიურ ბოჭკოებს. ხიდისა და მოგრძო ტვინის ნაწილებში აქვს 2 მგრძნობიარე და 2 მამოძრავებელი ბირთვი. ამ ბირთვების უჯრედებთან დაკავშირებული ბოჭკოები ქმნიან ს. ნ-ის დიდ ანუ მგრძნობიარე და მცირე ანუ მამოძრავებელ ფესვებს, რ-ებიც ტვინის ფუძეზე გამოდიან ნათხემის შუა ფეხებიდან. მგრძნობიარე ფესვი წარმოქმნის ნახევარმთვარისებრი ფორმის კვანძს (გასერის კვანძი), რ-იც მდებარეობს საფეთქლის ძვლის პირამიდის მწვერვალზე მაგარი გარსის საგანგებო ღრუში (მეკელის ღრუ). კვანძის გამოდრეკილი კიდიდან გამოდის 3 ნერვი (აქედან სახელწოდება) — თვალბუდის, ზედა ყბის (მგრძნობიარე) და ქვედა ყბის (შერეული) ნერვები. თვალბუდის ნერვი თვალბუდის ზედა ნაპრალით შედის თვალბუდეში, ზედა ყბის ნერვი გამოდის ქალას ღრუს მრგვალი ხვრელიდან, ქვედა ყბის ნერვი — ოვალური ხვრელიდან. ს. ნ-თან დაკავშირებულია პარასიმპათიკური კვანძები — წამწამოვანი, ფრთა-სასის, ყბისქვეშა, ყურის და შუამდებარე ნერვები. ამ კვანძების პოსტგანგლიონური ბოჭკოები ს. ნ-ის ტოტებით აღწევენ და ანერვიანებენ გუგის შემავიწროებელ და აკომოდაციის კუნთებს, საცრემლე და ყვავლა სანერწყვე ჯირკვალს. ს. ნ. მგრძნობიარე ტოტებით ანერვიანებს ტვინის მაგარ გარსს, ვენურ სინუსებს, სახისა და თავის კანს, თვალბუდის, პირის ღრუს, ცხვირის ღრუსა და ქალას ჰაეროვანი ძვლების წიაღების ლორწოვან გარსებს, ზედა და ქვედა ყბების კბილებსა და ღრძილებს. ენის წინა ორ მესამედს, ხოლო მამოძრავებელი ტოტებით — სალეჭ კუნთებს. *ვ. აბაშიძე.*

სამწიფარასებრნი (Meloidae), ხოჭოების ოჯახი. ჩვეულებრივ კაშკაშა ფერის სხეული აქვთ. *ჰემოლიმფა* შეიცავს შხამიან ნივთიერებას — კანტარიდინს, რ-იც ადამიანის კანზე მოხვედრისას წყლულებს აჩენს. ოჯახში 2500-მდე სახეობაა; სსრკ-ში 200-მდე სახეობა გვხვდება, რ-თაგან საქართველოში აღსანიშნავია თავწითელა ესპანური (Epicauta erythrocephala). ოთხწერტილა სამწიფარა (Mylabris quadripunctata), ცვალებადი სამწიფარა (M. variabilis), ყვავილის სამწიფარა (M. polymorpha) და სხვ. ს-თა ზოგი სახეობა მცენარეთა მავნებელია; ზოგის მატლი სასარგებლოა (კალიის კვერცხებს ანადგურებს), ზოგი კი ფუტკრის ბუდეში პარაზიტობს.

სამწუხი, სანძობი, ზანზობი, ისტორიული სოფელი სამხრ. საქართველოში. მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.).

წყარო: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგნ. 3, თბ., 1958, **სამწყარო,** სოფელი სამხრ. ოსეთის აო ზნაურის რ-ნში (აენევის სოფსაბჭო), მდებრის შუა ფრონისა და აღმოსავლეთის ფრონის წყალგამყოფზე. ზ. დ. 900 *მ*, ზნაურიდან 5 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ*. ველების მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ფრინევში (2,5 *კმ*).

სამწყობრო მოზადება, სამხედრო მოსამსახურეებისა და ქვეგანყოფების სწავლების საგანი. მისი ამოცანაა გამოუმუშაოს სამხ. მოსამსახურეს სანიმუშო გარეგნული სახე, წელში გამართულობა, სიმარჯვე, მოხერხებულობა და გამძლეობა, ბრძანებისა და სამწყობრო ხერხების (იარაღით და უიარაღოდ) დროულად და სწრაფად შესრულების უნარი; მოამზადოს ქვეგანაყოფები ბრძოლაში შეთანხმებული მოქმედებისათვის. ს. მ. ჯარისკაცისა და ქვეგანაყოფის წარმატებული ტაქტიკური მომზადების საფუძველია.

სამჭედლო იარაღი, იარაღი, რ-საც იყენებენ როგორც ხელით, ისე მანქანით ჭედვისას. დანიშნულების მიხედვით ს. ი. არის ტექნოლ. (უშუალოდ ახდენს ლითონის დეფორმაციას ნახაზით მოცემული ფორმისა და ზომის ნაჭედის მისაღებად), დამჭერ-გადამაადგილებელი (ჭედვის პროცესში იჭერს, გადააადგილებს, აბრუნებს ნამზადს) და საზომ-საკონტროლო, რ-ითაც ამოწმებენ ნაჭედის ზომებს როგორც ჭედვისას, ისე მისი დამთავრების შემდეგ.

ხელით ჭედვისათვის განკუთვნილი ძირითადი იარაღია ერთ- და ორრქიანი გრდემლი (საყრდენი იარაღი), ჩაქუჩი და სანგი (სარტყამი იარაღი), ღოჯი და წამკვეთი (საჭრელი იარაღი), სახვრეტელა, სხვადასხვა ფორმის გამჭოლნახვრეტებიანი ფილა (ნაჭედის გამოსაყვანი, გასახვრეტი, საღუნი და სხვ.), აგრეთვე საგლუვი, მოსაჭიმი და სხვ.

მანქანური ჭედვის ძირითადი ტექნოლ. იარაღებია საცემელები, რ-ებსაც უროზე ან წნეხზე ამაგრებენ. მათგან ქვედა უძრავია, ზედა კი წნეხის მადეფორმირებელ ძალას ნაჭედს გადასცემს. გაჭიმვის, გადაჭრის, გაბრტყელების, გადასაწელი, განლრუებისა და ღრუტანიანი ნაჭედების გაჭიმვის სამჭედლო ოპერაციების ჩასატარებლად შესაბამისად იყენებენ მოსაჭიმს, ნაჯახს, საბრტყელებელს, გამწევს, საჭოლსა და სამართულს. რთული ფორმის ნაჭედის მისაღებად და დიდი სიზუსტისათვის იყენებენ აგრეთვე ქვესადებ შტამპს.


რ. ბედინეიშვილი.

სამჭედლო-საშტამპავი წარმოება, ლითონთა წნეხვით დაუშავების ერთ-ერთი სახეობა; მანქანათმშენებლობის დარგი, რ-ის დანიშნულებაა მანქანათა ნაწილებისა და ლითონის სხვა ნაკეთობათა მიღება. ს.-ს. წ. ემყარება ლითონთა პლასტიკურობას. წარმოების სხვა ძირითად ხერხებთან (ჩამოსხმა, შედულება, ჭრით დამუშავება და სხვ.) შედარებით ს.-ს. წ-ისას საგრძნობლად უმჯობესდება ნაკეთობის სტრუქტურა და მექან. თვისებები, იზრდება შრომის ნაყოფიერება, ლითონის ეკონომია.

რაც უფრო მეტი სიმტკიცე მოეთხოვება მანქანას (განსაკუთრებით როცა სიმტკიცე შეხამებული უნდა იყოს სიმსუბუქესთან, მაგ., ავტომობილებში, თვითმფრინავებში, რაკეტებში და სხვ.), მით მეტია ს.-ს. წ-ით მიღებული დეტალები. ს.-ს. წ-ში საწყის მასალად (ნამზადად) იყენებენ სხმულს ან სხვადასხვა პროფილის ნაგლინს. მასალას ამუშავებენ როგორც ცივ, ისე ცხელ მდგომარეობაში, ახურებენ მისი პლასტიკურობის გასაზრდელად და დეფორმაციისადმი წინააღმდეგობის შესამცირებლად. გახურების ტემპ-რა დამოკიდებულია ლითონის ქიმ. შედგენილობაზე. ლითონს ახურებენ ალქმედ ან ელექტროღუმელებში.

ს.-ს. წ-ის ძირითადი ტექნოლ. პროცესებია: ჭედვა, შტამპვა, გამოწნეხვა. ჭედვა ლითონების წნეხვით დამუშავების უძველესი ხერხია. ეგვიპტელები ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-4—3 ათასწლეულში ჭედავდნენ თვითნაბად ლითონებს და მეტეორიტულ რკინას. თითქმის ამავე პერიოდში ქართველთა წინაპრებმა დაიწყეს ლითონების დამუშავება. ყველაზე გავრცელებულია ჭედვა ბრტყელ საცემებს შორის, მათზე შესაბამისი სამარჯვეების გამოყენებით შეიძლება რთული ფორმისა და დიდი ზომის ნამზადის დამუშავება. ბრტყელ საცემებს შორის ნამზადი თავისუფლად გაედინება, ამიტომ ამ პროცესს თავისუფალ ჭედვასაც უწოდებენ. ჭედვის ძირითადი ოპერაციებია: დასმა, გაწელვა, გაჭოლვა, ჭრა, ღუნვა, გრეხა და სხვ. ჭედვა შეიძლება როგორც ხელით, ისე მანქანით, ხელით ჭედავენ მცირე ზომის ერთეულ ნაჭედებს. პროცესის ჩასატარებელი ძირითადი იარაღ-სამარჯვებია: გრდემლი, მარწუხი და სანგი (10—20 *კგ* მასისა). მანქანური ჭედვა მიმდინარეობს პნევმ. და ორთქლჰაერის სამჭედლო უროთი, აგრეთვე სწრაფმავალ ჰიდრონწნეხზე. ამ დროს იყენებენ სხვადასხვა ტიპის ამწეებსა და მანიპულატორებს. ჭედვა შეუცვლელი პროცესია დიდი მასის (350 ტ-მდე) ნაჭედების, მაგ., ჰიდროტურბინის როტორის, მძლავრი შიგაწყვის ძრავას მუხლა ლილვის, საგლინი დგანების გლინებისა და მისთ. მისაღებად.

შტამპვა ლითონების წნეხვით დამუშავების ისეთი ხერხია, როდესაც ნამზადს ფორმის შესაცვლელად ამუშავებენ შტამპში, რ-იც შედგება ორი ნაწილისაგან მაინც, რ-თაგან ერთი მათგანი (უძრავი) დამაგრებულია წნეხის სადგარზე ან უროს შაბოტზე, მეორე — წნეხის ან უროს მუშა ნაწილზე (ცოცაზე ან კუტზე) და მასთან ერთად მოძრაობს. დასაშტამპ ნამზადს გახსნილ შტამპში დებენ. შტამპვის პროცესი იწყება მაშინ, როცა შტამპის მოძრავი ნაწილი შეეხება ნამზადს (იწყება დეფორმაცია) და მთავრდება შტამპის დახურვისას (ნახ. 1). ამ დროს ნამზადი ღებულობს შტამპის შიგა მოცულობითი სივრცის (ღარის) ფორმას, რ-იც შეესაბამება მისაღებ ნაწარმს — ნაშტამპს.



ნახ. 1.

სამჭედლო-საშტამპავი წარმოება. ნახ. 1—მოცულობითი შტამპვის სტადიები: 1—ღია ტიპის შტამპში; 2—დახურული ტიპის შტამპში.

მარტივი ფორმის ნაშტამპს ღებულობენ ერთლარიან შტამპში უროს რამდენჯერმე დარტყმით ან წნეხის ერთი სვლით, ხოლო რთული კონფიგურაციის ნაკეთობის მისაღებად იყენებენ მრავალლარიან შტამპს (ნახ. 2). მოცულობითი შტამპვისას ლითონს ახურებენ. ინერგება აგრეთვე მოცულობითი ცივად შტამპვა, რ-ის დროს ღებულობენ დიდი სიზუსტისა და სუფთა ზედაპირის ნაწარმს. მაგრამ მოცულობითი ცივად შტამპვა მოითხოვს დიდი სიმძლავრის მანქანა-იარაღებს, ხასიათდება შტამპების დაბალი მედეგობით (ცივ მდგომარეობაში ლითონის არასაკმარისი პლასტიკურობის გამო), რაც ზღუდავს მის ფართოდ გავრცელებას.

ცივ მდგომარეობაში შედარებით ადვილად მუშავდება ფურცლოვანი მასალა. განასხვავებენ ოპერაციათა 2 ძირითად ჯგუფს: ნამზადის დაყოფითა და მასალის მხოლოდ პლასტ.-ფორმაცვლილებით. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ჭრა (სრულდება დახრილდანებიანი, პარალელურდანებიანი, გორგოლაჭებიანი მაკრატლებით) და გამოჭრა (მიმდინარეობს სპეც. შტამპებში; მეორეს—ღუნვა, გამოჭიმვა, შემოჭერა და სხვ. (სრულდება აგრეთვე სპეც. შტამპებში), ფურცლოვანი შტამპვიდან აღსანიშნავია გამოჭიმვის პროცესი (ნახ. 3), რ-ის საშუალებით ღებულობენ ნახევრად ღია ღრუ ნაწარმს.

თხელფურცლოვანი მასალისაგან (ალუმინის 1,5—2,0 *მმ*, ხოლო ფოლადის 0,5—0,6 *მმ* სისქის) რთული კონფიგურაციის ნაწარმის გამოსაჭრელად იყენებენ რეზინით შტამპვას (ნახ. 4). ამ დროს ძვირადღირებული რთული შტამპები შეცვლილია მისაღები ნაწარმის კონტურის მქონე 10 *მმ* სისქის ფოლადის თარგით. ამ მეთოდს ფართოდ იყენებენ საავიაციო მრეწველობაში.

ინერგება ფურცლოვანი შტამპვის ახ. მეთოდები: აფეთქებითი, ელექტრომაგნ. და ელექტროჰიდრავ. შტამპვა. ამ დროს საჭირო არ არის ძვირადღირებული შტამპები და რთული საშტამპო მოწყობილობა.

გამოწნევა შტამპის ღრუში მასალის პლასტიკური დენადობით ნაკეთობათა მიღების ხერხია. ამ დროს სპეც. კონტეინერში მოთავსებული ნამზადი პუანსონით გამოიწნევა მატრიცის ნახვრეტიდან, რ-საც მისაღები ნაკეთობის განიკვეთის ფორმა აქვს. ხორციელდება ჰიდრავ. წნეხებზე.

ს.-ს. წ-ში იყენებენ სპეც. დანიშნულების მანქანა-იარაღებს, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მოქმედების პრინციპით, კონსტრუქციითა და დანიშნულებით. დასამუშ. ლითონზე მათი მოქმედების ხასიათის მიხედვით მანქანა-იარაღებს ყოფენ 4 ძირითად ჯგუფად (ნახ. 5): უროები, ჰიდრავ. წნეხები, მრუდმხარა მანქანები, როტაციული მანქანები.

უროები დარტყმითი მოქმედების მანქანებია. მათ შეიძლება ჰქონდეთ ორთქლპაერის, პნევმ., მექან., ან ჰიდრავ. ამძრავი. ზოგიერთი მოქმედებს აფეთქების ენერგიის, ელექტრული განმუხტვის, ელექტრომაგნ. ველის იმპულსური მოქმედებით და სხვ. ფართოდაა გავრცელებული ორთქლპაერის და პნევმ. უროები. უროთა ძირითადი პარამეტრია მვარდნი ნაწილების მასა.

ჰიდრავ. წნეხებით ნამზადის დეფორმაცია მიმდინარეობს დაწნევით. პროცესი სრულდება მადეფორმირებელ იარაღზე დიდი წნევის სითხის მოქმედებით. ყველაზე მძლავრი წნეხი (75000 *ტძ* ძალის) დამზადებულია სსრკ-ში.

მრუდმხარა მანქანებში ამძრავსა და შემსრულებელ მექანიზმს შორის ხისტი კინემატიკური კავშირია, ამიტომ მრუდი *ab* (ნახ. 5, III) მოცემული მანქანისათვის მუდმივია, ე. ი. მისი მადეფორმირებელი იარაღი ერთსა და იმავე მოძრაობას ასრულებს. ს.-ს. წ-ში ფართოდ იყენებენ საღუნ მანქანებს (ბულდოზერებს), ცხლადსაშტამპ წნეხებს, ჰორიზ.-საჭედ მანქანებს, საკვერ წნეხებსა და სხვ.

როტაციული მანქანები-დან ს.-ს. წ-ში იყენებენ სამჭედლო ვალცებს, გლინებიან სასწრფვებელ და საღუნ მანქანებს, სხვადასხვა ტიპის საგლინ დგანებსა და სხვ.

ლიტ.: Брюханов А. Н., Ковка и объемная штамповка, М., 1975; Залесский В. И., Оборудование кузнечно-прессовых цехов, М., 1973; Зубцов М. Е., Листовая штамповка, М., 1967.

გ. ლომსაძე.

სამხარაძე გიორგი აპოლონის ძე (25. I. 1910, სოფ. პირველი ფერსათი, ახლანდ. მაიაკოვსკის რ-ნი,—26. IV. 1982, ქუთაისი), ქართველი საბჭ. პოეტი, ლიტერატურათმცოდნე. სკკპ წევრი 1945-იდან. დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტი (1936). 1936—73 მუშაობდა ამავე ინ-ტში. 1942—44 იყო გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის" პ/მგ. მდივანი, 1944—55 — საქართვ. მწერალთა კავშირის ქუთ. განყ-ბის პ/მგ. მდივანი, 1958—ქუთ. დრამ. თეატრის დირექტორი. პირველი პოეტური კრებ. „საქართველოს ლაჟვარდები" 1947 გამოაქვეყნა. ს-ს ეკუთვნის კრებულები: „ლექსები" (1952), „სიყვარულის თაიგული" (1957), „სიცოცხლის ძაბილი" (1960), „ლექსები" (1972), „რჩეული" (1974), „სიახლოვე" (1979) და სხვ.: წიგნები: „ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში" (1957), „რუსთაველი და თანამედროვე ქართული პოეზია" (1966), „საქართველო ხალხურ პოეზიაში" (1972) და სხვ. ს-ის ლექსები თარგმნილია რუს., აზერბ., სომხ., ოსურ ენებზე.

სამხარაძე ზურაბ მიხეილის ძე (დ. 18. II. 1934, ჭიათურა), ქართველი საბჭ. ფერმწერი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1982). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1959). იქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას (1960-იდან. 1984-იდან პროფესორი). მუშაობს დაზგურ ფერწერაში. ს. ცნობილია როგორც პორტრეტისტი: „იაკობ გოგებაშვილი" (1976, გამომც. განათლება). „იაკობ ცურტაველი" (1978, საქართვ. ლიტ. მუზეუმი), „დავით გურამიშვილი" (1983, საქართვ. სურათების სახელმწ. გალერეა) და სხვ. ს. ავტორია ტანძიის სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის ექსპოზიციისა.

სამხარეო საბჭო, იხ. სტ. *სახალხო დეპუტატების საბჭოები.*

სამხატვრო აკადემია სსრ კავშირისა, დაარსდა 1947 მოსკოვში სრულიად რუსეთის სამხატვრო აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წ. 5 აგვ. დადგენილების საფუძველზე. აკად. შემადგენლობაშია (1983) 12 საპატიო აკადემიკოსი, 56 ნამდვილი წევრი, 86 წ.-კორ. აკადემიის დაწესებულებები მოსკოვში: სახვ. ხელოვნ. თეორიისა და ისტორიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, სამეცნიერო ბ-კის ფილიალი, სამეცნ.-კვლ. მუზეუმის ს. კონიონკოვის ბინა-მუზეუმის ფილიალი, ვ. სურიკოვის სახ. მოსკ. სახელმწ. სამხატვრო ინ-ტთან არსებული მოსკ. საშ. სამხატვრო სკოლა, „ცარიცინოს" ანსამბლის აღდგენისა და კეთილმოწყობის კაპიტ. მშენებლობის სამმართველო. აკად. დაწესებულებები ლენინგრადში: ი. რეპინის სახ. ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტ. ინ-ტი, ბ. იოგანსონის სახ. ლენინგრ. საშ. სამხატვრო სკოლა, სამეცნ.-კვლ. მუზეუმი, სახლ-მუზეუმი „პენატები" დაბა რეპინოში, ი. ბროდსკის ბინა-მუზეუმის ფილიალი, სამეცნ. ბ-კა, სამეცნ.-ბიბლიოგრ. არქივი, სამხატვრო სამმართველო, სახელოსნოებისა და ლაბორატორიების სამმართველო.

სსრკ სამხატვრო აკად. აქვს შემოქმედებითი სახელოსნოები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ბაქოში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1975).


სამხატვრო განათლება, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და სამრეწველო ხელოვნების ოსტატების, მხატვარ-არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეების, მხატვარ-პედაგოგების მომზადების სისტემა. უძველესი დროიდანაა ცნობილი გამორჩენილ მხატვართა სახელოსნოებში დაოსტატება; XVI ს-იდან დაარსდა სამხატვრო აკადემიები ევროპაში (ფლორენცია, 1563; რომი, 1577; პარიზი, 1648; ვენა, 1692).

ს. გ-ის თვალსაზრისით რუსეთში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პეტრე I-ის მიერ 1711 პეტერბ. სტამბასთან დაარსებულმა ხატვის სკოლამ. ამ სკოლაში არა მარტო იღებდნენ ცნობილ მხატვართა ნამუშევრების ასლებს, არამედ დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებებსაც ქმნიდნენ. ს. გ-ის ნამდვილ ცენტრად რუსეთში იქცა 1757 დაარსებული პეტერბ. სამხატვრო აკადემია. რუს. ს. გ-ის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა XIX ს. 20-იან წლებში ა. ვენეციანოვის მიერ დაარსებულმა სამხატვრო სკოლამ ტვერის გუბ. სოფ. საფონკოვოში. 1832 მოსკოვში გაიხსნა ე. წ. სამხატვრო კლასი, რ-იც 1843 გადაკეთდა ფერწერისა და ძერწვის, ხოლო 1865 — ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლად (იარსება 1918-მდე).

ს. გ-ს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ოქტ. რევ. შემდეგ; ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა სამხატვრო უმაღლესი და საშ. სპეც. სასწავლებლები და სკოლები. საბჭ. პედაგოგიკა სამხატვრო სწავლებასა და განათლებას განიხილავს როგორც იდეური აღზრდის, რეალიზმის საფუძველზე სახვითი აზროვნების ფორმირების, პროფ. დაოსტატებისა და ნატურის ღრმა შესწავლის ერთიან პროცესს. მოსწავლეებს, რ-ებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმან. სკოლის 4 კლასი და გამოავლინეს სახვ. ხელოვნ. ნიჭი, იღებენ სამხატვრო სკოლებში (სწავლების ვადა 4 წელია), აგრეთვე საშ. სამხატვრო ზოგადსაგანმან. სკოლებში (სკოლა-ინტერნატებში), რ-ებიც გახსნილია სსრკ დიდ უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებთან (1980 ასეთი იყო 7). საშ. სამხატვრო და ზოგად განათლებას იღებენ 4-წლიან საშ. სამხატვრო სკოლებში (მუშაობს ზოგადსაგანმან. რვაწლედის ბაზაზე) შემდეგი სპეციალობებით: ქანდაკება, მხატვრული ფერწერა, თეატრ.-დეკორ. ხელოვნება, ხაზვა-ხატვის სწავლება, საფეიქრო მხატვრობა, მხატვრული გაფორმება, ლითონის, ხის,




გ. სამხარაძე.



ნახ. 2.

სამჭედლო-საშტამპაი წარმოება. ნახ. 2. საშტამპაი უროს მრავალლარიანი შტამპი: 1, 2, 5—მოსაზადებელი ღარულები; 3—სასუფთაო ღარი; 4 — სასუფთაოსწორნა ანუ შაგი ღარი.


სამჭედლო - საშტამპაი წარმოება



ნახ. 3. ფურცლოვანი მასალის გამოჭიმვის პროცესის სქემა: 1—მატრიცა; 2—პუანსონი; 3—ნამზადი; 4—მიმჭერი.



ნახ. 4. რეზინით შტამპვის სქემა: 1. ფურცლოვანი მასალა; 2—თარგი; 3—რეზინი.



ნახ. 5. სამჭედლო - საშტამპაი მოწყობილობათა მადეფორმირებელი იარაღის სვლის სიჩქარისა და მუშა დროს შორის დამოკიდებულების დიაგრამა: t_g —ლითონის დეფორმაციის დრო (მუშა დრო); V—მადეფორმირებელი იარაღის სიჩქარე მუშა სვლის დროს; a და b—მუშა სვლის საწყისი და საბოლოო მომენტები; I—უროები; II—ჰიდრავლიკური წნეხები; III — მრუდმხარა მანქანები; IV—როტაციული მანქანები.

ძვლის, ქვისა და მინის მხატვრული დამუშავება, მხატვრული კერამიკა, სამრეწველო ესთეტიკა და სხვ. არქიტ.-სამომპირკეთებლო პროფილის უმაღლესი კვალიფიკაციის მუშებსა და დეკორ ხელოვნ. ოსტატებს ამზადებს სამხატვრო პროფტექ. სასწავლებლები და სკოლები. უმაღლეს ს. მ-ს იძლევა სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლები (აკადემიები, ინ-ტები, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სახ. პროფესიათა ფაკ-ტების სამხატვრო განყ-ბები), სადაც იღებენ სამხატვრო საშ. სპეც. სასწავლებლების კურსდამთავრებულებს; სწავლების ვადა უმაღლეს სასწავლებლებში 5—6 წელია, რ-ის დამთავრების შემდეგ ენიჭებათ სათანადო სპეციალობის მხატვრის წოდება და სამხატვრო საშ. სასწავლებლებსა და სკოლებში, აგრეთვე ზოგადსაგანმან. სკოლაში მასწავლებლობის უფლება. ამ სკოლების ხატვის მასწავლებლებს ამზადებენ აგრეთვე პედ. ინ-ტების სამხატვრო-გრაფ. ფაკ-ტებზე.

სამეცნ.-პედ. კადრებს სახვითი, დეკორ. და გამოყენებითი ხელოვნ., არქიტ., სამრეწველო ესთეტ. დარგებში ამზადებს ასპირანტურა, რ-იც არსებობს ი. რეპინის სახ. ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტ. ინ-ტში (ლენინგრადი), ვ სურიკოვის სახ. მოსკ. სამხატვრო ინ-ტში, *თბილისის სამხატვრო აკადემიაში*, მოსკ. არქიტ. ინ-ტში, ლენინგრ. და მოსკ. უმაღლეს სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებლებში, ლენინგრ. თეატრის, მუს. და კინემატოგრაფიის ინ-ტში, სსრკ კულტ. სამინისტროს სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში და სხვ. ს. მ-ის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს *სამხატვრო აკადემია სსრ კავშირისა*.

საქართველოში ს. მ-ს დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ცალკეულ მონასტრებთან ძველთაგანვე არსებობდა ს. მ-ის ცენტრები, ჭედური ხელოვნ. სკოლები, ფერწერისა და მინანქრის ოსტატთა გაერთიანებები.

რევოლუციამდელ საქართველოში არსებობდა სხვადასხვა სამხატვრო სკოლა. 1874 თბილისში ე. წ. „მხატვრულმა საზოგადოებამ" დააარსა დაწყებითი (ელემენტარული) ახ. ტიპის „ხატვის სკოლა". შემდეგ წლებში გაიხსნა ხატვის, ფერწერის, სკულპტურის კერძო სკოლები.

1901 ი. რეპინისა და პეტერბ. სამხატვრო აკად. მოწინავე პროფესორების დახმარებით თბილისში დაარსდა სამხატვრო სასწავლებელი, რ-იც რამდენიმე ხნის შემდეგ დაიხურა. სახვ. ხელოვნ განვითარებასთან დაკავშირებით 1916 თბილისში დაარსდა „ქართველ მხატვართა საზოგადოება".

1922 თბილისში დაარსდა სამხატვრო აკადემია — ეროვნ. უმაღლესი სასწავლებელი, რ-ის პირველი რექტორი იყო გ. ჩუბინაშვილი; აქ მოღვაწეობდნენ გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ე. ლანსერე, ი შარლემანი და სხვ. უმაღლეს ს. მ-ს იღებენ აგრეთვე თსუ-ის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტზე, ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ზოგადტექ. დისციპლინათა და სახვ. ხელოვნ. ფაკ-ტზე; საქართვ. უმაღლესი სასწავლებლების საზ. პროფესიათა ფაკ-ტებზე არის ს. მ-ის განყ-ბები. მუშაობს თბილ. ი. ნიკოლაძის სახ., სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის მ. თულანოვის სახ. სამხატვრო სასწავლებლები, თბილ. მ. თოიძის სახ. სამხატვრო პროფტექ. სასწავლებელი, თბილ. სამხატვრო სკოლა (ათწლედი), თბილ. სკოლა (სახვ. ხელოვნ. განყ-ბა, შვიდწლედი), აგრეთვე 30 საბავშვო სამხატვრო სკოლა (4-წლიანი, ზოგადსაგანმან. სკოლის 1—4 კლასების ბაზაზე).

სამხატვრო ეროვნული გალერეა სოფიაში, ბულგარეთის სრ-ის უდიდესი სამხატვრო მუზეუმი. შეიქმნა 1948. მოითავსებულია მეფის დიდი სასახლის შენობაში (XIX ს. დასასრ.). ს. ე. გ-ში დაცულია ბულგ. სახვ. ხელოვნ. (IX—XX სს.) და ევროპის, ლათ ამერ., შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშები; საბჭ. ხელოვნ. ნაწარმოებთა კოლექცია

სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლები, ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის მხატვრებს, მხატვარ-არქიტექტორებს, დიზაინერებს, ხელოვნებათმცოდნეებს (სპეციალობებით: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, ნაწარმის მოდელირება და მხატვრული გაფორმება; ინტერიერები და მოწყობილობები, სამრეწვ. ხელოვნება, მონუმ.-დეკორ ხელოვნება, სახვ. ხელოვნ. თეორია და ისტორია).

1984 სსრკ-ში იყო შემდეგი ს უ. ს.: ლენინგრ. ი. რეპინის სახ. ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტ. (1757), კიევის (1917), ხარკოვის სამხატვრო-სამრეწვ (1927), მოსკ. ვ. სურიკოვის სახ. (1937), ლვოვის გამოყენებითი და დეკორ ხელოვნ. (1946), ლიტვ. სსრ (1951, ვილნიუსი), ესტ. სსრ (1951, ტალინი) ინ-ტები; მოსკ. (1825, ყოფილი სტროგანოვის სასწავლებელი) და ლენინგრ ვ. მუხინას სახ. (1876) უმაღლესი სამხატვრო-სამრეწვ. სასწავლებლები. სამხატვრო აკადემიებია: ლატვ. ტ. ზალკალნსის სახ. რიგაში (1919), თბილისში (1922, იხ. *თბილისის სამხატვრო აკადემია*). ბელორ. (მინსკი), ტაშკენტისა და ერევნის თეატრ.-სამხატვრო ინ-ტებსა და კინემატოგრაფიის საკავშ. ინ-ტს აქვთ სამხატვრო ფაკტები. ზოგ მათგანს აქვს ასპირანტურაც. ლენინგრ. ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტ. ინ-ტს უფლება აქვს მიიღოს დასაცავად საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ხელოვნებათმცოდნეობაში. ხოლო მოსკ. სამხატვრო და მოსკ. სამხატვრო-სამრეწვ. უმაღლეს სასწავლებლებს — საკანდიდატო დისერტაციები

სამხედრო აღრიცხვა სსრკ-ში, ყველა სამხედრო ვალდებულისა და წვევამდელის სპეციალური აღრიცხვა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ს ა წარმოებს „სსრკ კავშირის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" 1967 კანონის საფუძველზე (1980 რედ., მმ 85—104) აღრიცხვის წესს ადგენს სსრკ თავდაცვის სამინისტრო ს ა ხორციელდება რ-ნის (ქალაქის) სამხ. კომისარიატში; იქ, სადაც არ არის კომისარიატი (მაგ., სოფლებში, დაბებში), სამხ ვალდებულისა და გასაწვევის პირველადი აღრიცხვა ევალება სახ დეპუტატთა ადგილ საბჭოების აღმასკომებში არსებულ სამხ საღრიცხვო მაგიდებს. სამხ. ვალდებული, რ-იც სხვა ადგილას გადადის მუდმივ ან დროებით (თვენახევარზე მეტი ვადით) საცხოვრებლად ან მიდის მივლინებაში. სასწავლებლად, შვებულებაში, სამკურნალოდ და ა. შ. (სამ თვეზე მეტი დროით), მოვალეა მოიხსნას სამხ. აღრიცხვიდან. ხოლო სადაც ჩავა, იქ უნდა გამოცხადდეს სამხ. აღრიცხვაზე ასაყვანად; იგი ვალდებულია აგრეთვე აცნობოს საღრიცხვო ორგანოს, თუ შეეცვალა ოჯახური მდგომარეობა, გამოიცვალა საცხოვრ ადგილი ან სამსახური. საზღვარგარეთ მცხოვრებ სსრკ-ის მოქალაქეთა ს. ა. ევალებათ სსრკ-ის დიპლ. და საკონსულო წარმომადგენლობებს.

გ ერემოვი.

სამხედრო ბეგარა, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მოსახლეობის სამხედრო სამსახურის კანონით დადგენილი ვალდებულება. მონათმფლობელურ სზ-ბაში ს. მ. მხოლოდ თავისუფალი, უმთავრესად შეძლებული ფენის წარმომადგენლებს ეხებოდა. საბერძნეთსა და რომში მუდმივი არმიის შექმნის შემდეგ დაიწყეს არმიაში ულარიბესი კლასის წარმომადგენლების გაწვევაც. ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე დაქირავების პრაქტიკას. ადრინდ. შუა საუკუნეებში დასავლეთის ჯარი თავისუფალი გლეხებისა და ქალაქელებისაგან შედგებოდა 1798 საყოველთაო ს მ. საფრანგეთში კანონი გახდა. საყოველთაო ს. მ-ის სისტემაზე გადაგიდნენ პრუსია (1814—15), ავსტრია-უნგრეთი (1868). იტალია (1875) და სხვა ქვეყნები. ძვ რუსეთში XVII ს-მდე ს მ. ფეოდ. და სახ. ლაშქრის ფორმით ხორციელდებოდა. 1874 რუსეთში შემოიღეს საყალდებულო ს. მ.

ს. მ საქართველოში. საქართვ ფეოდ. ეპოქის შეიარაღებულ ძალას ფეოდ. ლაშქარი წარმოადგენდა, ყმა (ვასალი) ლაშქრობდა ბატონის ხელქვეით, ე. ი ფეოდ. იერარქია გადატანილი იყო ლაშქარში საჭიროების მიხედვით ლაშქარი გროვდებოდა ქუდზე კაცის, კომლზე კაცის წესით ან შეწერით თეიმურაზ I-მა დააწესა ლაშქრის თავისებური სახე, ე. წ. „ნოქარი". შემდგომში ერეკლე II-ის მიერ შექმნილი *მორიგე* ჯარი მუდმივი არმიის ნაირსახეობას წარმოადგენდა 1801 რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქვეყნის დამცველი ძირითადი სამხ ძალა რუს. არმია გახდა, ხოლო მისი დამხმარე ქართვ. ჯარი მილიციად იწოდებოდა. 1829 გადაწყდა სახელმწ. ხარჯზე მოხალისეთა გაწვევის გზით თბილ. გუბერნიიდან მუდმივი „დრუჟინის" შეკრება 1831 ეს რაზმი ქართ. ქვეითი პოლკის სახელით ჩამოყალიბდა. გაწვეული მოსახლეობა სამოქალაქო გადასახადებისაგან გაათავისუფლეს სამხ. სამსახური 3 თვით დაწესდა. 1898 ეს ნაწილი რუს. მუდმივი არმიის ნაწილს გაუთანაბრდა მომარაგებითა და ხელფასით. მილიციაში გაწვევა ყველა წოდებაზე ვრცელდებოდა. არსებობდა მოხალისეთა ინ-ტიც. დაშვებული იყო წვევამდელის მიერ შემცვლელის დაქირავება. 1874 წ 1 იანვ დებულებით დაწესდა საყოველთაო სავალდებულო ს ბ კავკასიაში. 1877 თურქეთთან ომის დროს მილიციის შეკრება ძირითადად ძვ. წესით მოხდა. ომის დამთავრების შემდეგ ს. ბ-ის გატარების საკითხი ისევ დაისვა. კავკ ხალხებისათვის ს ბ-ის დებულებას საფუძვლად დაედო გრ *ორბელიანის* პროექტი. დებულება საბოლოოდ 1886 წ 28 მაისს შევიდა ძალაში გაწვევა ხდებოდა კენჭისყრით, რ-შიც მონაწილეობდა ყველა მამაკაცი, ვისაც 2 იანვ. 20 წელი შეუსრულდებოდა. გაწვევა არ ეხებოდა ოჯახის ერთადერთ შვილს, სიძეს და ოჯახის უფროს ვაჟიშვილს სამსახური განისაზღვრა 3 წლით. შემდგომში 12 წლით თადარიგში ჩარიცხვით. სამხ. სამსახურში გაწვეულ პირთა ოჯახი სამოქალაქო გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა პირველად გაიწვიეს 23723 კაცი მათგან შეიქმნა 4 ქვეითი და 4 სარეზერვო პოლკი, ხოლო მილიციის არსებული შენაერთები გაუქმდა. ს. ბ-ის ასეთი სისტემა უმნიშვნელო ცვლილებებით ძალაში დარჩა 1917-მდე.

ლიტ.: ბურჭულაძე ე., ომრიმის ომი და საქართველო, თბ., 1960; კლიმიაშვილი ვ., მორიგე ლაშქრის საკითხისათვის XVIII ს II ნახევრის აღმ. საქართველოში, «კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე». 1963. ტ 5, Мерепидзе Ш. В., Закавказье в русско-турецкой войне 1877—1878 гг., Тб., 1972.

შ მეგრელიძე.

სამხედრო ბილეთი, სსრ კავშირში დოკუმენტი, რ-საც სამხ. კომისარიატი აძლევს სავალდებულო სამხ სამსახურში გასაწვევ ან თადარიგში ჩასარიცხ მოქალაქეს. ს. ბ. უვადო დოკუმენტია, რ-იც ადასტურებს სავალდებულო სამხ. სამსახურში მყოფი ჯარისკაცის, მეზღვაურის, სერჟანტის, ზემდეგის პიროვნებას. სავალდებულო სამხ. სამსახურში მყოფ ოფიცრებსა და გენერლებს ეძლევათ პირადობის მოწმობა, ხოლო თადარიგში გასვლის ან გადადგომის შემდეგ ს. ბ.

სამხედრო განათლება, კადრების მომზადების სისტემა შეიარაღებული ძალების

სსრკ სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტები:
1947—57 — ა. გერასიმოვი
1958 — 62 — ბ. იოგანსონი
1962 — 68 — ვ. სეროვი
1968 — 83—ნ. ტომსკი
1983-იდან ბ. უგაროვი

სხვადასხვა სახეობისა. ჯარების გვარეობათა და სპეც. ჯარებისათვის. ფუნდამენტურ (საზ., ფიზ.-მათ., ქიმ. და სხვ.) და სპეც. სამხ. მეცნიერებათა დარგში სისტემ. ცოდნისა და პრაქტ. ჩვევათა ერთობლიობა, ს. მ-ის ჩასახვა და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება *სამხედრო მეცნიერებასა* და *სამხედრო ხელოვნებას*.

სამხ. სახელმწიფოში ს. მ. ვითარდება ოქტ. რევ. პირველივე დღეებიდან განსხვავებენ ს. მ-ის 3 საფეხურს: უმაღლესი ს. მ., რ-საც იღებენ მეთაურ სამხ. აკადემიებსა (ფაკ-ტებზე) და ზოგიერთ სამხ. უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება საზ. მეცნიერებანი ოპერატ. ხელოვნება. ზოგადი ტაქტიკა ჯარების გვარეობათა და სპეც. ჯარების ტაქტიკა, ომების ისტორია და სამხ. ხელოვნება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზ. მეცნიერებათა, ტექ. და ფიზ. მომზადებას. უცხო ენების შესწავლას. უმაღლესი სამხ.-პოლიტ. განათლება ითვალისწინებს აგრეთვე სამხ. პედ. და ფსიქოლ. შესწავლას, ჯარში პარტ.-პოლიტ. მუშაობის ორგანიზაციას სწავლის ვადა ოფიცრებისათვის 3—4 წელია, სხვა კატეგორიის პირთათვის — 5 წელი.

საშ. სამხ.-ტექნიკური და სამხედრო-სპეციალური განათლება სსრკ შეიარაღებულ ძალებში ხორციელდება მეთაურთა ტექ. და სპეც. სამხ. სასწავლებლებში სწავლის ვადა 3 წელია სასწ. გეგმები ითვალისწინებს საზ. მეცნიერებათა, ზოგად სამხ და ტაქტიკური, ზოგადსაგანმან. და ზოგადტექ. დისციპლინების შესწავლას. დიპლომის მიღებასთან ერთად ენიჭებათ სათანადო კვალიფიკაციაც (ტექნიკოს-მექანიკოსი; ტექნიკოს-მშენებელი და სხვ.).

დაწყებითი ს. მ. მოიცავს დაწყ. სამხ. მომზადებას, ითვალისწინებს პოლიტ., სამხ. და სპეც. ცოდნის ათვისებას. 1967 წ. 12 ოქტ. კანონის თანახმად, ხორციელდება საშ. სკოლის მე-9, მე-10 კლასებში და პროფტექ. სასწავლებლებში. აგრეთვე სამხ. სამსახურის გავლის დროს. სუვოროველები და ნახიმოველები დაწყებით ს. მ-ს იღებდნენ სასწავლებლებში ზოგადსაგანმან. საშ. განათლებასთან ერთად.

სამხედრო გეოგრაფია, სამხედრო მეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის შესაძლო *სამომავლო მოქმედებათა თეატრების* (სარბიელის) სამხ.-პოლიტიკურ, სამხ.-ეკონ. და ბუნებრივ პირობებს. ს. მ-ის ქვედარგებია: ზოგადი საფუძვლები, სამხ. ქვეყანათმცოდნეობა და საომარ მოქმედებათა თეატრების შესწავლა. ორი უკანასკნელი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და იყენებს პოლიტ., ეკონ. და ფიზ.-გეოგრ. კონკრ. მასალას, აგრეთვე სხვა საზ. და საბუნებისმეტყველო მეცნ. მონაცემებს. რუსეთში ს. მ-ის ფუძემდებლები არიან პ. იაზიკოვი (1838) და დ. მილიუტინი (1847). ჯარებს სამხ.-გეოგრ. ინფორმაციას აწვდიან სამხ.-გეოგრ. ალწერების, მიმოხილვების, ცნობების, რუკების, ატლასებისა და სხვ. სახით. დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—45) ს. მ-ის კურსი იკითხებოდა თსუ-შიც.

ლიტ. დონდუა დ., სამხედრო გეოგრაფია, მისი არსი და თეზატიკა, თბ., 1942; Милютин Д. А., Первые опыты военной статистики, т. 1—2, СПб., 1847—48; Политическая и военная география. Учебное пособие, 2 изд., М., 1980; Языков П., Опыт теории военной географии, СПб., 1838.

სამხედრო გეოლოგია, გეოლოგიის დარგი, რ-იც ჯარების საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფის, სხვადასხვა სამხ. ნაგებობის განლაგების დასაბუთების, ჯარების წყალმომარაგების, სხვადასხვა სახეობის ჯარის მიერ ადგილის გამავლობის. შეფასების, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებისა და საშენ მასალათა ძებნის დ ძიების მიზნით შესასწავლის აღგილი გეოლ. აგებულებასა და ჰიდროგეოლ პირობებს.

ლიტ. Попов В. В., Геология в военно-инженерном деле, М., 1958.

სამხედრო დანაშაული სსრკ-ში, დანაშაული სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ, რ-იც ჩაიდინა სამხ. მოსამსახურემ, აგრეთვე სამხ. ვალდებულმა სასწავლო შეკრების გავლისას ს. მ-თვის პასუხისმგებლობა დადგენილია 1958 საეროო საკავშ. კანონით (იხ. აგრეთვე საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., თავი XI).

ს. დ. იყოფა ჯგუფებად დანაშაული ხელქვეითობისა და სამხ. პატივის წინააღმდეგ (ურჩობა, ბრძანების შეუსრულებლობა და სხვ.). დანაშაული სამხ. სამსახურის გავლის წესის წინააღმდეგ (დეზერტირობა, ნაწილის ან სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვება და სხვ.), დანაშაული სამხ. ქონების წინააღმდეგ (სამხ. ქონების გაფლანგვა ან დაკარგვა და სხვ.). დანაშაული სამხ. სამსახურის სპეც. მოვალეობის შესრულების წესის წინააღმდეგ (ფრენის ან ფრენისათვის მზადების წესების დარღვევა და სხვ.); დანაშაული სამხ. საიდუმლოების დაცვის წესის წინააღმდეგ; დანაშაული ბრძოლის ველზე და საბრძოლო ვითარებაში სამხ. სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ (ნებაყოფლობით ტყვედ დანებება, მაროდიორობა); დანაშაული *ომის კანონებისა და ჩვეულებების* წინააღმდეგ და სხვ.

ს. დ. განსხვავდება სამხ. დისციპლინური გადაცდომისაგან ქმედობის საზ. საშიშროების ხარისხით. ს. დ-თვის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელებს: თავისუფლების აღკვეთას, დისციპლინურ ბატალიონში გაგზავნას და სხვ., ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისათვის — სიკვდილით დასჯას. *მ. ლეკვეიშვილი.*

სამხედრო დემოკრატია, ძვ. ბერძნულ საზოგადოებაში პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის საფეხურზე ხელისუფლების ორგანიზაციის აღსანიშნავი ტერმინი. შემოიღო ლ. *მორგანმა*. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გაიზიარეს ამ ტერმინის დედაარსი და მას უნივერსალური-ისტ. მნიშვნელობა მიანიჭეს. მოგვიანებით, მრავალი საბჭ. ისტორიკოსის შრომებში ამ ტერმინით აღნიშნავდნენ არა მარტო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმას, არამედ პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის პერიოდის საბოლოო ეტაპს და მის კლასობრივ საზ-ბად გარდაქმნასაც. არქეოლ. ლიტ-რაში ს. დ. შეესაბამება ადრინდ. ლითონის ხანას (ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ეპოქა). ამ დროს განვითარდა გუთნური მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, გაცვლა-გამოცვლა, წარმოიშვა ზედმეტი პროდუქტი და კერძო საკუთრება. კლასობრივი საზ-ბისა და სახელმწ. ხელისუფლების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა მეკობრული ომები, რ-თა მიზანი იყო მიწებისა და სხვათა ქონების ხელში ჩაგდება, რაც ამდიდრებდა და აძლიერებდა სამხ. მეთაურებსა და მათ ლაშქარს. ს. დ-ის კლასიკურ მაგალითებად ითვლება ჰომეროსის ეპოქის ბერძნების, ძვ. კელტებისა და გერმანელების, ნორმანებისა და სხვ. საზ-ბები.

სამხედრო დისციპლინა, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ წესდებით დადგენილი წესებისა და წესრიგის მკაცრი და ზუსტი დაცვა. სახელმწიფოს საზ. წყობის ხასიათის შესაბამისად ყველა არმიას განსხვავებული ს. დ. აქვს. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში დისციპლინა ემყარება არა იძულებასა და სასჯელის შიშს, არამედ ყოველი სამხ. მოსამსახურის მიერ სამხ. ვალდებულებების და სამშობლოს დაცვაში პირადი პასუხისმგებლობის შეგნებას. დისციპლინა ხელს უწყობს ჯარების მართვას, საბრძოლო ვითარებაში სიძნელეთა გადალახვას და ჯარების მაღალი ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. 1918—20 სამოქალაქო ომისა და 1941—45 დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭ. შეიარაღებულ ძალების გამარჯვებები შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭ მეომრების შეგნებული და მტკიცე ს. დ-ის წყალობით. ს. დ-ის ძირითადი მოთხოვნები მოცემულია სსრკ შეიარაღებული ძალების *დისციპლინურ წესდებაში*, რ-საც ამტკიცებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და კანონის ძალა აქვს. სამშობლოს დაცვის ინტერესები უკარნახებს ყველა მეთაურს ხელქვეითების აღზრდასა და მათზე მუდმივ მზრუნველობასთან ერთად მკაცრად მოსთხოვონ მათ დისციპლინისა და წესრიგის დაცვა, დასაჯონ დამნაშავენი და წაახალისონ ღირსეულნი. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში შთაგონებისა და იძულების ღონისძიებათა შერწყმა წარმოადგენს დისციპლინის საფუძველს; ს. დ-ის დაცვაში გადამწყვეტი როლი ენიჭება პოლიტ. აღზრდას.

სამხედრო დროშა, სამხედრო ნაწილის სიმბოლო; განსაზღვრული ზომისა და ფერის ქსოვილის ნაჭერი, მიმაგრებული ჭუდიან (ჩვეულებრივ შუბის ან სხვა გამოსახულების ლითონის წვეტი) ტარზე. საბჭ. არმიის ნაწილებსა და შენაერთებს აქვთ ტარიანი წითელი დროშა. ს. დ., როგორც მებრძოლთა შეკრებისა და გაერთიანების ნიშანი, გაჩნდა ძვ. აღმოსავლეთის სახელმწიფოებში — ინდოეთში, ჩინეთსა და სხვ.

სამხედრო ეკონომიკა, სახალხო მეურნეობის სპეციფიკური ნაწილი, რ-იც ემსახურება ომების მომზადებასა და წარმართვას კაპიტალისტურ ქვეყნებში და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას სოციალისტურ ქვეყნებში. *მილიტარიზმის* არნახული განვითარების შედეგად სამხ. მოხმარებისათვის გათვალისწინებული პროდუქციის გამომუშავება კაპიტალ. ეკონ. განუყოფელი ნაწილი გახდა. ეკონ. სახელმწ. მონოპ. რეგულირება მნიშვნელოვანი ზომით სამხ.-ეკონ. მომზადების ფორმით ხორციელდება. საკმარისია ითქვას, რომ სამხ. ხარჯები აშშ-ის ფედერ. ბიუჯეტის ხარჯების 24% შეადგენს. ამრიგად, სამხ. ხარჯები, ანუ სამხ. მოხმარება, გამოდის როგორც ერთობლივი სახელმწ. მოხმარების შემადგენელი ნაწილი და გაელენას ახდენს კაპიტალ. ეკონომიკაზე. ეკონომიკასა და ომს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებდნენ მერკანტილისტები, ხოლო შემდეგ ბურჟ. პოლიტეკონ. კლასიკოსები. ომების ისტორია ადასტურებს, რომ სამხ. ხარჯების აბსოლ. და შეფარდებითი სიდიდის ზრდა ქვეყნის ეკონ. სიძლიერის ზრდის პირდაპირპროპორციულია. სამხ. ხარჯების მოცულობამ განსაკუთრებულ სიდიდეს მიაღწია იმპერიალიზმის ეპოქაში (ცხრ. იხ. გვ. 54).

ს. ე-ის ზრდა აძლიერებს კაპიტალის წარმოების პროცესის დეფორმაციას და აშწვავებს მის წინააღმდეგობებს. უპირველეს ყოვლისა, იგი იწვევს ცვლილებებს კაპიტალ. წარმოების სტრუქტურაში. უფრო სწრაფი ტემპით იზრდება სამხ. მრეწვ. დარგები, რის გამოც მნიშვნელოვნად მაღლდება სამხ. პროდუქციის წილი მრეწვ. პროდუქციის მოცულობაში. ეკონ. მილიტარიზაცია ხელს უწყობს ახ. დარგების განვითარებას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს ტრად. დარგების განვითარების ტემპზე. კაპიტალ. ეკონომიკაზე მნიშვნე-

ლოვან გავლენას ახდენს სამხ. მიზნებისათვის სამეცნ.-კვლ. მუშაობის ზრდა. კაპიტალ. ქვეყნების სამხ. წარმოებაში დასაქმებულია მეცნ. და საინჟინრო-ტექ. პერსონალის 50%-ზე მეტი.

ს. ე-ის ძირითადი ბირთვია სამხ. მრეწველობა; გაბატონებული მდგომარეობა უკავია აშშ-ს. კაპიტალ. ქვეყნების ს. ე-ის განვითარებაში ძირითადია კერძო კაპიტალი. აღსანიშნავია სამხ. პროდუქციის მწარმოებელი ისეთი უმსხვილესი კომპანიები, როგორიცაა „ლოკჰიდ ეარკრაფტი“ (ავიარაკეტული), „ჯენერალ დაინემიკსი“ (ავიარაკეტული, რადიოტექნიკა), „მაკდონელ-დაგლასი“ (ავიარაკეტული), „ჯენერალ ელექტრიკი“ (ელექტროტექნიკა) და სხვ.

ს. ე-ის ზრდა და მასთან დაკავშირებული „თანამედროვე მილიტარიზმი კაპიტალიზმის შედეგია. თავისი ორივე ფორმით იგი არის კაპიტალიზმის „ბუნების გამოვლინება“: როგორც სამხ. ძალა, რ-საც იყენებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები თავიანთ საგარეო შეტაკებათა დროს... და როგორც იარაღი, რომელიც გაბატონებული კლასების ხელში პროლეტარიატის ყოველგვარი (ეკონომიკური და პოლიტიკური) მოძრაობის დათრგუნვის საშუალებას წარმოადგენს“ (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 222—223).

სოციალ. ქვეყნებში ს. ე. ემსახურება თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა II მსოფლიო ომში. სსრ კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების სხვა წევრები აფართოებენ და სრულყოფენ ერთიმეორეს შორის სამხ.-ეკონ. თანამშრომლობის ფორმებს. ამავე დროს სამხ. ხარჯების წილი სოციალ. ქვეყნების სახელმწ. ბიუჯეტში შედარებით მცირეა. ჯ. ქაბნიაშვილი.

ნატო-ს ქვეყნებისა და იაპონიის სამხედრო ხარჯები 1980 წ. გაცვლის კურსით (მლრდ. დოლ.)

	მიმდინარე ფასებში			1975 წ. მუდმივ ფასებში		
	1971	1980	1983	1971	1980	1983[1]
აშშ[2]	74,9	146,0	220,4	98,8	102,8	126,5
გფრ	17,0	26,7	31,6	17,9	22,0	23,1
საფრანგეთი	8,3	26,4	37,6	11,9	15,0	17,0
დიდი ბრიტანეთი	6,5	26,8	35,7	11,1	14,0	14,7
იტალია	2,2	9,6	16,6	3,6	4,3	4,6
ბელგია	1,4	4,0	4,6	2,0	3,0	2,9
საბერძნეთი	0,4	2,3	4,5	0,6	1,1	1,2
დანია	0,6	1,6	1,9	0,9	1,1	1,0
კანადა	1,8	4,7	7,2	2,7	3,1	3,6
ლუქსემბურგი	0,2	0,5	0,7	0,2	0,4	0,4
ნიდერლანდი	2,2	5,3	6,1	2,5	3,1	3,1
ნორვეგია	0,6	1,7	2,5	0,9	1,1	1,2
პორტუგალია	0,3	0,9	1,5	0,5	0,3	0,3
თურქეთი	0,1	2,4	8,3	0,2	3,7	5,5
ს ულ ნატო	113,5	258,9	379,2	153,8	175,0	205,1
იაპონია	3,0	9,8	12,5	4,5	7,9	9,5

1, სტრატ. კვლევის ლონდონის ინ-ტის მონაცემები გაანგარიშებულია 1980 კურსის მიხედვით იმ მიზნით, რომ გამორიცხულიყო დოლარის კურსის მერყეობის გავლენა სამხ. ხარჯების დინამიკაზე.
2. წინასწარი მონაცემები.

სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი, ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ობიექტური შესაძლებლობები, რ-თა გამოყენებაც შეიძლება ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად და საომრად. ს.-ე. პ-ს განსაზღვრავს სახელმწიფოს სოცალ.-ეკონ. და პოლიტ. წყობა; წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, მრეწვ. (უპირატესად მძიმე და სამხ.) საწარმოო სიმძლავრე; სოფ. მეურნ. განვითარება; გზების სათანადო ტრანსპ. და კავშირგაბმ. მდგომარეობა; მოსახლ. რაოდენობა და მისი მორალურ-პოლიტ. დონე; მეცნ. და ტექ. განვითარების დონე; ფინანსური მდგომარეობა და სხვ. ს.-ე. პ-ის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მოკლე ვადაში ეკონ. ძირითადი დარგების საწარმოთა სამხ. წარმოებაზე გადაყვანის შესაძლებლობა. დიდ სამამულო ომში საბჭ. კავშირის ეკონ. ორგანიზებულობამ და გეგმურობამ, საბჭ. ხალხის შრომითმა გმირობამ განაპირობა სრულად და ეფექტურად გამოგვეყენებინა ქვეყნის მთელი რესურსები მტერზე გამარჯვების მისაღწევად.

სამხედრო ენციკლოპედიები, სამეცნიერო-საცნობარო გამოცემები, რ-ებშიც გარკვეული სისტემითაა თავმოყრილი სამხედრო ცოდნა და სამხ. მნიშვნელობის ცნობები მეცნიერების მომიჯნავე დარგებიდან. ს. ე-ის წინამორბედია 1577 ლონდონში გამოცემული ჯ. პოლმენის ნაშრომი „ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომლებიც ჩვენს დროში მოხდა ქვეყანაზე, ზღვასა თუ ხმელეთზე“ (Polman J., All the famous battels that have been fought in our age throughout the worlde, as well by sea as lande..., L., 1577). ასეთივე მნიშვნელობისაა 1670 პარიზში გამოცემული გიიე დე სენ-ჟორჟის სამტომეული „სამხედრო კაცის ცოდნა ანუ აზნაურის სიტყვარი“... (Guillet de Saint-Georges, Les arts de l'homme d'épée ou le dictionnaire du gentilhomme..., v. 1—3, P., 1670), რ-იც შეიცავდა ცნობებს სამხ. და საზღვ. ხელოვნ. და ცხენოსნობის შესახებ. რუსეთში პირველი სამხ. ლექსიკონი შეადგინა ვ. სუვოროვმა („Истинный способ укрепления городов...“, СПб., 1724), რ-შიც განმარტებულია დაახლ. 350 სამხ. ტერმინი. 1837—50, 1852 გამოვიდა „Военный энциклопедический лексикон“ (14 ტომი დამატებით). სსრკ-ში გამოცემულია „Советская военная энциклопедия“ (ტ. 1—8, 1976—80). ს. ე. აქვს მსოფლიოს ყველა დიდ სახელმწიფოს.

სამხედრო ვალდებულება, საბჭ. მოქალაქის საპატიო ვალდებულება დაიცვას სოციალისტური სამშობლო და გასწიოს სამხედრო სამსახური სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში.

„სსრ კავშირის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ (1967 წ. 12. X) კანონის მიხედვით, „სსრ კავშირის მოქალაქე ყველა მამაკაცი, მიუხედავად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლებისა, ბინადრობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, ვალდებულია მოიხადოს ნამდვილი სამხედრო სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში“ (მ. 3). იმ პირს, რ-იც ნამდვილ სამხ. სამსახურში იმყოფება, სამხ. მოსამსახურე ჰქვია. კანონის თანახმად, ნამდვილ სამხ. სამსახურში გაიწვევენ სსრკ მოქალაქეებს (მამაკაცებს), რ-თაც გაწვევის დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ. გაწვევა ხდება წელიწადში 2-ჯერ. ნამდვილ სამხ. სამსახურში გაწვევისათვის თავის არიდება სისხლის სამართ. პასუხისმგებლობას იწვევს (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 81). კანონით გათვალისწინებულ ზოგ შემთხვევაში (ოჯახური მდგომარეობის, ინვალიდობის, სწავლის გაგრძელების და სხვ.) შესაძლებელია ნამდვილ სამხ. სამსახურში გაწვევის გადავადება. ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები ნამდვილ სამხ. სამსახურის გავლის შემდეგ კანონით განსაზღვრულ დრომდე შეიარაღებული ძალების თადარიგში ითვლებიან. მოქალაქეს, რ-იც თადარიგშია, სამხ. ვალდებული ჰქვია. მას კანონით განსაზღვრული ვადით გაიწვევენ სასწ., აგრეთვე შესამოწმებელ შეკრებებზე. შეკრებაზე გაწვევისას ყოველ სამხ. ვალდებულს სამხ. მოსამსახურის უფლებები აქვს და ვალდებულებანიც ეკისრება. სასწ. შეკრებაზე გაწვევისას მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს ენახებათ მათი საშ. გამომუშავების ხელფასის 75% მუდმივ სამუშაო ადგილზე. ამ ხნის განმავლობაში დაუშვებელია მათი სამსახურიდან დათხოვა ან კოლ-ბიდან გარიცხვა.

სამედ., ვეტ. და სპეც. ტექ. მომზადების მქონე ქალებიც, რ-ნიც აყვანილნი არიან სამხედრო აღრიცხვაზე, იმყოფებიან აგრეთვე თადარიგში.

სამხ. ვალდებულნი მობილიზაციის გამოცხადებისას მოვალენი არიან გამოცხადდნენ იმ ადგილას და იმ დროს, რ-იც გათვალისწინებულია რ-ნის (ქალაქის) სამხ. კომისრის ბრძანებით, ჩინაღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით (მ. 82).

გ. ერემოვი.

სამხედრო ვალდებული, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თადარიგში მყოფი სსრ კავშირის მოქალაქე. ს. ვ-თა გაწვევა ხდება სასწ., აგრეთვე შეს.მოწმებელ შეკრებებზე, რ-თა ვადები განსაზღვრულია საყოველთაო სამხ. სამსახურის სსრ კავშირის 1967 კანონით. სასწ ან შესამოწმებელ შეკრებაზე გაწვეული ს. ვ. შეკრების პერიოდში ნატურალური და ფულადი ანაზღაურებით სახელმწიფოს კმაყოფაზეა. შეკრებაზე გაწვეულ ა. ვ-ს ენახება შეკრების დროს დაკავებული თანამდებობა და საშ. შემოსავლის 75%. მობილიზაციის დროს ს. ვ. უნდა გაჰოცხადდეს იმ პუნქტში და ვადაში, რ-იც აღნიშნულია რ-ნის (ქალაქის) სამხ. კომისრის სამობილიზაციო მიწერილობაში, უწყებასა ან ბრძანებაში.

სამხედრო კავშირგაბმულობა, ინფორმაციის გაცვლის საშუალებათა ერთობლიობა, რ-იც ჯარების მართვის ინტერესებს ემსახურება. ს. კ-ის მთავარი ამოცანაა ნებისმიერ ვითარებაში უზრუნველყოს სარდლები (მეთაურები) და შტაბები ჯარების უწყვეტი მართვის შესაძლებლობით, დროულად აცნობის ჯარებს მტრის მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროება და მოიყვანოს ისინი საბრძოლო მზადყოფნაში. ს. კ-ს უყენებენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: დროული კავშირის დამყარება, მუშაობის საიმედოობა, მოქმედების სისწრაფე და სხვ. თავდაპირველად ს. კ-თვის იყენებდნენ მაცნეებს (ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლები) და სასიგნალო საშუალებებს (კოცონი, დაირა და სხვ.). XIX ს. არმიაში ს. კ-ს ემსახურებოდა ელექტრონული ტელეგრაფი, XX ს. დასწყისში — რადიოკავშირი, რადიოტელეგრაფი და ტელეფონი. თანამედროვე შეიარაღებულ ძალებში იყენებენ ს. კ-ის სხვადასხვა საშუალებას.

სამხედრო კანონმდებლობა, საბჭ. სახელმწიფოს მიერ დადგენილ იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რ-ებიც არეგულირებენ ურთიერთობებს სსრკ შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის სფეროში — სამხ. ნაწილების ცხოვრებას, ყოფას და საქმიანობას, განსაზღვრავენ მათ ვალდებულებებს, სამხ. მოსამსახურეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ს. კ. მოიცავს სახელმწ. სამართ., ადმ., საფინანსო, სისხლის სამართ. და სოციალ. სამართ. სხვა დარგების ნორმებს.

ს. კ. მოწოდებულია უზრუნველყოს სამხ. ნაწილებში დისციპლინის მტკიცედ დაცვა, სრული ერთმმართველობა, უფროსისადმი ხელქვეითის უსიტყვო დაქვემდებარება, თანამიმდევრული ცენტრალიზმი ჯარების მართვაში და ა. შ.; იგი შეიცავს ნორმებს, რ-ებიც განსაზღვრავს სამხ. ძალთა მშენებლობას, სამხ. მეურნ. და სამხ. მმართველობის ორგანიზაციის, სამხ. კადრების დაკომპლექტების წესს, სამხ. მოსამსახურეთა პასუხისმგებლობასა და დაჯილდოებას, შეღავათებს, პენსიასა და დახმარებებს, სამხ. სამსახურის გავლას, სამხ. ძალთა მობილიზაციის საფუძვლებს და ა. შ. ს. კ-ში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანონს საყოველთაო *სამხედრო ვალდებულების* შესახებ, დებულებას სამხ. ტრიბუნალების შესახებ, კანონს სამხ. დანაშაულისათვის სისხლის სამართ. პასუხისმგებლობის შესახებ, სამხ. პროკურატურის დებულებას, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმის ბრძანებულებას სამხ. ფიცის ტექსტისა და ფიცის მიღების წესის შესახებ, სამხ. წესდებებს და სხვ.

კანონმდებლობა იცავს სამხ. მოსამსახურეთა პოლიტ. და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობას, განამტკიცებს სსრკ შეიარაღებულ ძალებს, ამაღლებს საბრძოლო მზადყოფნას, აძლიერებს დისციპლინას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „არა შიშით, არამედ სინდისის კარნახით შეასრულე ყველა კანონი წოდელი არმიის შესახებ, ყველა ბრძანება, ყოველწინარად დაიცავი მასში დისციპლინა“... (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 656—657).

კაპიტალ. ქვეყნებში არმია ემყარება „ჯოხის დისციპლინას“ და მოწყვეტილია ხალხისაგან. არმიის რიგითი შემადგენლობა იქ ფაქტობრივად მოკლებულია ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში მონაწილეობას, რეაქციული ბურჟუაზია არმიას იყენებს თავის ქვეყანაში ხალხის (მშრომელთა) საწინააღმდეგოდ, დაპყრობითი პოლიტიკისათვის, სხვა ქვეყნის ხალხთა დასათრგუნავად. *გ. ერემოვი.*

სამხედრო კომისარი, კომუნისტური პარტიისა და საბჭ. ხელისუფლების წარმომადგენელი ნაწილებში (ხომალდებზე), დაწესებულებებსა და შეიარაღებული ძალების შენაერთებში 1918—42 პერიოდში (ხანგამოშვებით). ს. კ-ის ინ-ტი სამოქალაქო ომის დროს ჩამოყალიბდა. 1918 წ. 4 მარტს სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა უმაღლესი სამხ. საბჭო სამხ. ხელმძღვანელისა და 2 კომისრის შემადგენლობით. ამავე პრინციპით იქმნებოდა არმიისა და ფლოტის სხვა ხელმძღვ. ორგანოები. 1918 წ. 6 აპრ. უმაღლესმა სამხ. საბჭომ გამოაქვეყნა დებულება „სამხედრო კომისრებისა და სამხედრო საბჭოების წევრთა შესახებ“, სადაც მითითებულია, რომ ს. კ. წარმოადგენს უშუალო „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ ორგანოს არმიაში“. ს. კ-ები შეპყავდათ ყველა სამხ. ნაწილში, შენაერთსა და სამხ.-სასწ. დაწესებულებაში; არმიასა და ფრონტზე მათ უწოდებდნენ რევ. სამხ. საბჭოს წევრებს. ს. კ-ებად ინიშნებოდნენ მხოლოდ უმწიკვლო რევოლუციონერები. ს. კ-ის მთავარი ამოცანა იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭ. მთავრობის პოლიტიკის გატარება არმიაში. ს. კ-ის ინ-ტმა 1942 წ. 9 ოქტ-მდე იარსება.

სამხედრო კომისარიატი, ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანო სსრკ-ში, რ-იც განაგებს სამხ.-სამობილიზაციო და სააღრიცხვო გასაწვევ სამუშაოებს. ს. კ. არის მოკავშირე რესპუბლიკებში, ავტონ. რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ოკრუგებში, ქ-ებსა და რ-ნებში. ისინი წარმოადგენენ ავტონ. თავდაცვის სამინისტროს დაწესებულებებს და ერთდროულად მუშაობენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მხარის, ოლქის აღმასკომების, ქალაქისა და რ-ნული საბჭოების განყ-ბების უფლებებით. ს. კ-ის ძირითადი ამოცანებია: საჯარისო მობილიზაციის მომზადება და გატარება, ახალგაზრდობის მომზადება სამხ. სამსახურისათვის, სავალდებულო სამხ. სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზაცია და სხვა თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება სასწ. შეკრებებზე. ს. კ-ის მუშაობას ხელმძღვანელობენ სსრკ შეიარაღებული ძალების გენშტაბი და იმ სამხ. ოლქის სარდალი, რ-ის ტერიტორიაზეც ისაა განლაგებული. ს. კ. შეიქმნა სახკომსაბჭოს 1918 წ. 8 აპრ. დეკრეტით, მანამდე ამ ფუნქციებს ასრულებდნენ ადგილ. საბჭოების სამხ. განყ-ბები.

„სამხედრო კომუნიზმი“, საბჭ. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პერიოდში (1918—20). იგი ითვალისწინებდა თავდაცვის განსამტკიცებლად ხალხის ძალებისა და სახელმწ. რესურსების მობილიზაციას. „ს. კ-ის“ პერიოდში ნაციონალიზებულ იქნა სამ. და წვრილი საწარმოები. შემოიღეს საყოველთაო შრომითი ვალდებულება შრომისუნარიანი მოსახლეობისათვის შესაბამისად პრინციპისა — „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“ მიხედვით. რამდენადაც სამეურნეო რღვევისა და მატერ. რესურსების შეზღუდულობის პირობებში შეუძლებელი იყო ფრონტის მომარაგება საგანგებო აუცილებელი ღონისძიებების გარეშე, სახელმწიფომ აკრძალა კერძო ვაჭრობა და შემოიღო სასურსათო გაწერა. მრეწველობა მუშაობდა ცენტრალიზებული გეგმების მიხედვით, რაც ექვემდებარებოდა ქვეყნის თავდაცვის ამოცანებს.

„ს. კ.“ ხასიათდებოდა მეურნ. ნატურალიზაციით, საქონელბრუნვის შეკვეცით, ფულის, კრედიტის, ფინანსების როლისა და მნიშვნელობის შემცირებით.

„ს. კ-ის“ პოლიტიკას საბჭ. სახელმწიფოს მტრები სახავდნენ „სამომხმარებლო“ და „ჯარისკაცულ“ კომუნიზმად. ვ. ი. ლენინმა თავის შრომებში ამხილა მსგავსი შეხედულებანი. სინამდვილეში „ს. კ.“ საბჭ. სახელმწიფოს დროებითი ღონისძიება იყო. სამხ. ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ შემოღებულ იქნა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპი).

სამხედრო მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში ან მის ნაწილში, რ-საც ხელისუფლების ან მმართველობის უმაღლესი ორგანო აცხადებს განსაკუთრებული გარემოების — საომარი მოქმედების, სტიქიური უბედურების ან სხვა ვითარების გამო.

სსრკ-ში ს. მ-ის შემოღების უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. 1977 კონსტიტუციის მიხედვით (მ. 121, პ. 15), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს ს. მ-ს ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში სსრ კავშირის თავდაცვის ინტერესებისათვის. ს. მ-ის პირობებში სახელმწ. ხელისუფლების ყველა ძირითადი ფუნქცია თავდაცვის, საზ. წესრიგის და სახელმწ. უშიშროების დაცვის დარგში გადადის სამხ. ხელისუფალთა ხელში. მართლწესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ადგენს ს. მ-ის დროის კანონმდებლობა. *გ. ერემოვი.*

სამხედრო მედიცინა, მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის სისტემა, რ-ის მიზანია ჯარის პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის განმტკიცება, საბრძოლო დაზიანებათა და დაავადებათა მკურნალობა და პროფილაქტიკა. ს. მ-ის თეორ. საფუძველია სამხ.-სამედ. მეცნიერება, რ-იც დაფუძნებულია მედიცინისა და სამხ. მეცნ. მიღწევებზე.

ს. მ-ის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია სამხ.-სამედ. განათლება, რაც გულისხმობს სამხ.-სამედ. კადრების შექმნას, მათ შემდგომ დახელოვნებას და შეგუებას სამხ. სამსახურისათვის მომზადებული ექიმებით, ფერშლებით და სხვ. სამედ. კადრებით. ს. მ-ის განვითარების დონე განისაზღვრება ქვეყნის ეკონ. წყობით, მისი პოლიტ. სტრუქტურით და განსაკუთრებით სამხ. ძალების ორგანიზაციით, სამხ. ხელოვნ. მდგომარეობით და სამედ. მეცნ. განვითარების დონით. ს. მ-ის, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგის, განვითარება დაიწყო მას შემდეგ, რაც შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო, რ-საც ჰყავს რეგულარული არმია.

სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში სამხ.-სამედ. მომსახურების უზრუნველყოფა გულისხმობს სამედიცინო სამსახურის ღონისძიებათა ერთობლიობას, რ-ის მიზანია შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის დაცვის ყველაზე ეფექტური შედეგების მიღწევა, ავადმყოფთა და ბრძოლაში დაზიანებულთათვის დროული სამედ. დახმარების გაწევა, მათი ჯანმრთელობისა და ბრძოლისუნარიანობის სწრაფი აღდგენა და მწყობრში დაბრუნება. მშვიდობიანობის დროს ს. მ-ის მთავარი ამოცანაა ჯარების სამკურნ.-პროფილაქტ. და სანიტ.-ეპიდემიოლოგიური უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება. ჯარების სამედ. უზრუნველყოფის თავისებურებანი დამოკიდებულია საბრძოლო გარემოცვაზე, იმ სხვადასხვაგვარ რთულ პირობებზე, რ-ებშიც სამხ.-სამედ. სამსახურს უხდება მუშაობა, და სამხ. პათოლოგიის თავისებურებაზე.

ს. მ. სამხ.-სამედ. ცოდნის რთული და განშტოებული კომპლექსია, რ-შიც შედის სამხ. სამსახურის ორგანიზაცია და ტაქტიკა, *სამხედრო-საველე ჰირურგია, სამხედრო-საველე თერაპია,* სამხ. ჰიგიენა (იხ. *ჰიგიენა სამხედრო*), მ. შ. სამხ. ეპიდემიოლოგია, სამხ. შრომის ფიზიოლ., *საავიაციო მედიცინა, კოსმოსური მედიცინა,* სამედ. დაცვა მასობრივი დაზიანების იარაღისაგან, სამხ.-სამედ. გეოგრაფია, ს. მ-ის ისტორია და სხვ.

ლიტ.: Очерки истории советской военной медицины, Л., 1968.

სამხედრო მეცნიერება, ცოდნათა სისტემა ომის ხასიათის, კანონების, ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების ომისათვის მომზადებისა და მისი წარმართვის ხერხების შესახებ. სხვა მეცნიერებებთან ერთად ს. მ. შეისწავლის ომს, როგორც რთულ სოც.-პოლიტ. მოვლენას. ს. მ. სწავლობს ომის კანონებს, რ-ებიც ასახავენ მისი მსვლელობისა და შედეგის კავშირს მეომარ მხარეთა მორალურ-პოლიტ., სამეცნ.-ტექ. და სამხ. შესაძლებლობებთან, აგრეთვე ომის მომზადებისა და წარმართვის ძირითად პროცესებს, განპირობებულს ომის მასშტაბით, მონაწილეთა შემადგენლობითა და შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებით. მისი კვლევის ძირითადი საგანია შეიარაღებული ბრძოლა ომში. ს. მ-ის სტრუქტურა და შინაარსი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან სახელმწიფოს კლასობრივი არსისა და გაბატონებული იდეოლოგიის მიხედვით.

საბჭ. ს. მ-ის ძირითადი ნაწილებია: სამხ. ხელოვნ., შეიარაღებული ძალების მშენებლობის, საბრძოლო მომზადებისა და აღზრდის, სამხ.-ეკონ. და ზურგის თეორიები.

ადრინდ. ომების გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებაში, სამხ. ხელოვნ. კანონზომიერებათა განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხ. ისტორია. პირველი სამხ.-თეორ. ცოდნა ჩაისახა მონათმფლობელურ ეპოქაში (ძვ. საბერძნეთი), როცა ფილოსოფიის გამოყო სამხ. თეორიის საფუძვლები, გაჩნდა სამხ. ისტ. და თეორიის პირველი წიგნები (ჰეროდოტე, ქსენოფონტი და სხვ.). სამხ. ცოდნის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ძვ. რომის ომების განზოგადება. შემეცნების ძირითად მეთოდსა და ფორმას სამხ.-ისტ. აღწერები წარმოადგენდა. ფეოდალიზმის ეპოქაში, აბსოლ. მონარქიების წარმოშობამდე დას. ევროპისათვის ტიპობრივი იყო მიზნითა და მასშტაბით შეზღუდული ომები. ამავე ხანის ფეოდ. საქართველოში უკვე დამკვიდრებული ჩანს როგორც ზოგადი შინაარსის („ლაშქრო საქმე“, „სამხედრო საქმე“ „მხედრული ცოდნა“), ისე პრაქტ. მნიშვნელობის („წყინარი ლაშქრობანი“, ანუ მანევრები, „ლაშქრობათა მეცადინეობანი“, „წყობათა წინამძღვრობა“ და სხვ.).

საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად უმჯობესდებოდა იარაღი და სამხ. ტექნიკა, იცვლებოდა სამხ. მოქმედების

ხერხები. XV ს. დას. ევრ. ფეოდ. სახელმწიფოებში გაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი მუდმივი პროფესიული არმიები და მათი გამოყენების თეორიები (ნ. მაკიაველის „ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ"). XVIII ს-ში აღმოცენდა ბურჟ. ს. მ. ეკონ. ბაზის შემდგომმა გაფართოებამ შესაძლებელი გახადა უფრო მოზრდილი მუდმივი არმიების შექმნა. XVIII ს-ში გამოქვეყნდა იდეალისტური და მეტაფიზ. ხასიათის პირველი კაპიტალური სამხ.-თეორ. შრომები: ჰ. ლოიდის „შვიდწლიანი ომის ისტორია" და ა. ჰ. დ. ბიულოვის „უახლესი სამხედრო სისტემის არსი". ბურჟუაზიულ ს. მ-ს საფუძველი ჩაეყარა XVIII ს. ბოლოს, საფრ. დიდი რევ. მსვლელობაში. ბურჟუაზიული სამხ. თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაპოლეონ I-მა, აგრეთვე ა. ჟომინიმ, კ. კლაუზევიცმა, ჰ. კ. ბ. მოლტკემ (უფროსმა) და სხვ. ომის მომზადებისა და გაძღოლის პროცესების გართულებამ აუცილებელი გახადა გენ. შტაბების შექმნა, რ-ებიც სამხ.-სამეცნ. კვლევის ცენტრებად იქცნენ. დასავლეთის ბურჟ. სამხ. თეორეტიკოსები უარყოფდნენ ომის ობიექტური კანონების არსებობას, აზვიადებდნენ მხედართმთავართა როლს, ომში მომხდარ მოვლენებს შემთხვევითობით ხსნიდნენ. სხვები მოუწოდებდნენ შეესწავლათ სამხ. ხელოვნ. მუდმივი და „უცვლელი" პრინციპები. XVIII ს. რუსეთში სამხ. საქმის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშეს პეტრე I-მა (დიდი სამხ. რეფორმების განხორციელება, სამხ. სწავლების ეფექტური მეთოდების შემუშავება), აგრეთვე პ. რუმიანცევმა, ა. სუვოროვმა, მ. კუტუზოვმა, თ. უშაკოვმა და სხვ. XIX ს. II ნახევარში საფუძველი ეყრება პროლეტ. სოციალ. ს. მ-ს. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველებმა გამოიყენეს დიალექტ. მატერიალიზმი სამხ. საქმის განვითარების ანალიზისათვის. მათ დაასაბუთეს, რომ ომის ბედზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მეომარი სახელმწიფოების ეკონ. სიმძლავრე, ხალხისა და არმიის მორალური სულისკვეთება. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებში გამოთქმულია მრავალი თეორ. დებულება რევ. ბრძოლებში პროლეტარიატის სამხ. სტრატეგიისა და ტაქტიკის თაობაზე, არმიის ორგანიზაციული სტრუქტურის, ჯარების მატერ. მომარაგების, მეთაურთა კადრების როლისა და სხვ. შესახებ. საბჭ. ს. მ-ის ფუძემდებელია ვ. ი. ლენინი, რ-მაც ახ. ისტ. პირობებში — იმპერიალიზმისა და პროლეტ. რევ. ეპოქაში — დიდი წვლილი შეიტანა ომისა და არმიის შესახებ მარქსისტული მოძღვრებისა და საბჭ. ს. მ-ის მთავარი დებულებების შემუშავებაში. საბჭ. ს. მ-თვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის დასკვნას იმპერიალიზმის ეპოქის ომების შესახებ, რომ სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას ის დრო, როდესაც ომები წარმოებდა დაქირავებულების ან ხალხისგან ნახევრადმოწყვეტილი კასტის წარმომადგენლებით. ომებს ახლა აწარმოებენ ხალხები. აქედან გასაგებია, რომ ომი, როგორც რთული საზ.-ისტ. მოვლენა, მოითხოვს მთელი ხალხის ძალების უდიდეს დაძაბვას, სახელმწიფოს ყველა რესურსისა და შესაძლებლობის მობილიზაციას. ლენინის მოძღვრების საფუძველზე სკკპ-მ შექმნა ახ. ტიპის სოციალ. წყობის შესატყვისი არმია. ლენინმა არა მარტო ჩამოაყალიბა საბჭ. ს. მ-ის უმთავრესი დებულებები, მან შეძლო წარმატებით განეხორციელებინა ისინი ცხოვრებაში — სამოქალაქო ომში (1918—20).

I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ ბურჟ. ს. მ. განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. გერმ. სამხ. თეორეტიკოსები „ელვისებური ომის" თეორიას ავითარებდნენ, საფრანგეთში ს. მ. უპირატესობას პოზიციური ომის კონცეფციას ანიჭებდა, აშშ-სა და ინგლისში ფართოდ გავრცელდა „საზღვაო ძლიერების" თეორია. ბევრი დასავლელი თეორეტიკოსი ცდილობდა I მსოფლიო ომის სტრატეგიული და ოპერატ.-ტაქტიკური ფორმებისა და ხერხების დაკანონებას.

საბჭ. ს. მ. ომებს შორის პერიოდში აქტიურად და შემოქმედებითად ვითარდებოდა. იგი თვლიდა, რომ მომავალი ომი იქნებოდა ხანგრძლივი და მოითხოვდა სახელმწიფოს ყველა შესაძლებლობის მაქს. დაძაბვას, მისთვის დამახასიათებელი იქნებოდა ბრძოლის პოზიციური და მანევრული ფორმები. 30-იან წლებში შეიმუშავეს „ღრმა ოპერაციის" თეორია, სწორად განსაზღვრეს ზურგის როლი მომავალ ომში. რთული სამხ. პრობლემები წყდებოდა სკკპ გადაწყვეტილებებისა და მისი ცკ-ის დადგენილებების საფუძველზე, ობიექტური პირობების, ეკონ., მორალურ-პოლიტ. და ქვეყნის სამხ.-ტექ. შესაძლებლობათა ღრმა ანალიზის საფუძველზე.

საბჭ. ს. მ-ის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის მ. ფრუნზეს; მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბ. შაპოშნიკოვმა, ვ. ალაფუზოვმა, კ. ველიჩკომ, დ. კარბიშევმა, მ. ტუხაჩევსკიმ და სხვ.

დიდი სამამულო ომის (1941—45) პერიოდში საბჭ. ს. მ-მ მრავალი მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემა გადაწყვიტა სტრატეგიული თავდაცვის ორგანიზაციისა და წარმოების, კონტრშეტევის მომზადებისა და განხორციელების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, ზურგისა და ფრონტის მორალურ-პოლიტ. ერთიანობის, სტრატეგიული მასშტაბის შეტევითი ოპერაციების მომზადებისა და გაძღოლის შესახებ.

ომის შემდგომი პერიოდის სამეცნ.-ტექ. პროგრესმა ძირეული ცვლილებები მოახდინა სამხ. საქმეში. რაკეტულ-ბირთვული და სხვა საომარი საშუალებების გამოჩენამ გამოიწვია ახ. ხარისხობრივი ცვლილებები შეიარაღებული ძალების სტრუქტურასა და ომისათვის ქვეყნის მომზადების საქმეში. ს. მ-ის წინაშე ახ. ამოცანები წამოიჭრა. მომავალ ომში, რ-იც შეიძლება იმპერიალისტებმა წამოიწყონ, საბჭ. ს. მ-ის ამოცანა იქნება სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებული ძალების მაღალ საბრძოლო მზადყოფნას, მოწინააღმდეგის თავდასხმის ჩაშლასა და აგრესორის განადგურებას ნებისმიერ ვითარებაში. საბჭ. ს. მ. ყოველმხრივ შეისწავლის ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთ. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედების მომზადებისა და წარმოების პრობლემებს. ს. მ. წყვეტს ჯარების ოპერატ., საბრძოლო, მორალურ-პოლიტ. და ფსიქოლ. მომზადების, მათი საველე, საჰაერო და საზღვ. გაწვრთნილობის ამოცანებს. საბჭ. ს. მ-ს აქვს განვითარების ხელსაყრელი პირობები: ყველაზე პროგრ. საზ. წყობა.

ლიტ.: Маркс К., Гражданская война во Франции, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 17; Ленин В. И., Отчет Центрального Комитета 18 марта. [VIII съезд РКП(б) 18—23 марта 1919 г.], Полн. собр. соч., 5 изд., т. 38, с. 137—142.

სამხედრო მოსამსახურე, პირი, რ-იც სავალდებულო სამხედრო სამსახურში იმყოფება. ყოველ ს. მ-ს ენიჭება სამხ. წოდება (სსრკ-ში, მაგ.: რიგითი, ეფრეიტორი, სერჟანტი, ლეიტენანტი, კაპიტანი და სხვ.). თავისი სამსახურებრივი მდგომარეობისა და სამხ. წოდების მიხედვით ს. მ. სხვათა მიმართ შეიძლება იყოს უფროსი, ან დაქვემდებარებული, უფროსი ან უმცროსი. ყოველი საბჭ. ს. მ. სამხ. ფიცს დებს იყოს ერთგული თავისი ხალხისა, საბჭ. სამშობლოსა და მთავრობისა.

სამხედრო მოსამსახურეთა განმასხვავებელი ნიშნები, ნიშნები, რ-ებიც მიმაგრებულია სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელზე პერსონალურ სამხ. წოდებათა და შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარის გვარეობის თუ სამსახურის კუთვნილების აღსანიშნავად. სსრკში აწესებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

თანამედროვე არმიებში ს. მ. ბ. ნ-ად იყენებენ სამხრევებს, ნიშნებს თავსაბურავზე, სამხრეებსა და საკლოებზე, ემბლემებს, სამკერდე და სამკლავე ნიშნებს, კანტებსა და ლამპასებს

1918 წითელი არმიის შექმნისთანავე შემოიღეს წითელარმიელის სამკერდე ნიშანი — დაფნისა და მუხის ტოტების გვირგვინი, რ-ის თავზე მოთავსებული იყო წითელი ემალით დაფარული ხუთქიმიანი ვარსკვლავი შუაში გუთნისა და უროს ემბლემით. 1918 ივლ-ში წითელარმიელთა და მეთაურთათვის დაწესდა თავსაბურავზე დასამაგრებელი კოკარდა — ხუთქიმიანი ვარსკვლავი გუთნისა და უროს ემბლემით. ფარაჯისა და გიმნასტურის საბელოებზე დაკერებული იყო ჯარების გვარეობის შესაბამისი ფერის საკილოები. 1919 იანვ-ში პირველად შემოიღეს ალისფერი მაუდის სამკლავე ნიშნები სამხ.-საზღვ. ფლოტში მეთაურთა განმასხვავებელ ბეღი ნიშანი — სხვადასხვა რაოდენობისა და სიგანის ოქროს სირმის არშია — მიკერებული იყო ორივე სახელოზე. 1922 იანვში შემოიღეს სამხ. მოსამსახურეთა ახ. ფორმის ტანსაცმელი, რ-ის მარცხ. სახელოზე იყო ჯარის გვარეობის შესაბამისი ფერის ალისფერკანტიანი დანაკერი. წითელარმიელის ნიშანზე გუთნისა და უროს გამოსახულება ნამგლითა და უროთი.

1943-იდან წითელ არმიასა და სამხ.-საზღვ. ფლოტში შემოიღეს სამხრევები, რ-ზეც ვარსკვლავებით, ფერით, ზოლებით, ემბლემებითა და ტრაფარეტებით აღინიშნებოდა პერსონალური სამხ. წოდების, შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარის გვარეობის (სამსახურის) კუთვნილების შესაბამისი ნიშნები.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 128.

სამხედრო მხატვართა სტუდია მ. გრეკოვის სახელობისა (1965-იდან წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მ. გრეკოვის სახ. სამხედრო მხატვართა სტუდია), საბჭ. სამხედრო მხატვართა კოლექტივი. შეიქმნა 1934—35. სახელი ეწოდა მ. გრეკოვის ხსოვნის პატივსაცემად. 1943-იდან საბჭ. არმიისა და სამხ.-საზღვ. ფლოტის მთავარი პოლიტ. სამმართველოს გამგებლობაშია. სტუდია დაარსდა სასწავლებლის ფუნქციებს, აერთიანებდა თვითნასწავლ მხატვრებს. 1940-იდან გადაკეთდა პროფესიულ მხატვართა ორგანიზაციად. დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში სტუდიის მხატვრები იბრძოდნენ მოქმედ არმიაში, ქმნიდნენ პლაკატებს, სამხ. ფურცლებს, კარიკატურებს, ხატავდნენ გმირთა პორტრეტებს. ს. მ. ს-მ დიდი როლი შეასრულა სსრკ-ში პანორამისა და დიორამის განვითარებაში. სტუდიის მხატვრები: ე. ვუჩეტიჩი, ა. გორპენკო, ი. ეფსტიგნეევი და სხვ.

სამხედრო ოლქი, სსრ კავშირში ნაწილების, შენაერთების, სამხ.-სასწავლო დაწესებულებებისა და სხვა ადგილობრივი სამხ. დაწესებულებების ტერიტორიული საერთო საჯარისო გაერთიანება. ს. ო-ს სათავეში უდგას ოლქის ჯარების სარდალი, რ-იც თავდაცვის მინისტრს ემორჩილება. სახელმწიფოს ტერიტ. ს. ო-ებად დაყოფა უზრუნველყოფს ჯარების უფრო მოხერხებულად მართვას, ოპერატიული, საბრძოლო პოლიტ. მომზადების განხორციელებას, ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების ღო-

ნისძიებებს. რუსეთში ს ო. დამტკიცდა 1862—64. სსრკ-ში პირველი 6 ს ო. 1918 მარტში, სამოქალაქო ომის (1918—20) დროს შეიქმნა. 1946 ოქტ-ში სსრკ-ში 21 ს. ო. იყო. ს. ო-ები არის აგრეთვე ზოგიერთ სოციალ. და კაპიტალ. სახელმწიფოში.

„სამხედრო ოპოზიცია“, *რკპ(ბ) VIII ყრილობის* დელეგატთა ჯგუფი, რ-იც გამოდიოდა სამხედრო საკითხში პარტიის ცკ-ის ხაზის წინააღმდეგ „ს. ო-ში“ შედიოდნენ ვ. სმირნოვი, გ. საფაროვი, გ. პიატაკოვი, ა. ბუბნოვი, ე. იაროსლავსკი, ვ. სორინი, კ. ვოროშილოვი და სხვ.

რკპ (ბ) ცკ-მა დაამტკიცა სამხ. საკითხებზე მოხსენების თეზისები [მომხსენებელი რკპ (ბ) ცკ-ის წევრი გ. სოკოლნიკოვი]. მოხსენებაში დასაბუთებული იყო ცენტრალიზებული, რეგულარული, დისციპლინირებული წითელი არმიის პრინციპები და მეთოდები, გაანალიზებული იყო საკითხები, რ-თა ირგელივ გაიმართა დავა და აზრთა სხვადასხვაობა: სამხ. სპეციალისტების, მეთაურთა შემადგენლობის არრევითობის, კომუნისტთა ორგანიზაციის ფორმებისა და კომუნისტ. უჯრედების უფლებების შესახებ არმიაში. ცკ-ის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ „ს. ო-ის“ გამოსვლები წითელ არმიაში ყოფილი **ოფიცრების** გამოყენების წინააღმდეგ იგივე იყო, რაც „მემარცხენე კომუნისტების“ მოთხოვნა არ გამოეყენებინათ ინჟინრები ფ-კებსა და ქ-ნებში. პარტიის ცკ-ს მიაჩნდა, რომ კომუნისტური უჯრედები არ უნდა ჩარეულიყვნენ არმიის მმართველობის საკითხებში, ისინი მხოლოდ უნდა დახმარებოდნენ კომისრებს და ეზრუნათ პარტიის პოლიტიკის განუხრელად გატარებაზე.

„ს. ო-იდან“ მოხსენებით გამოვიდა სმირნოვი. იგი ამტკიცებდა, რომ არ შეიძლებოდა ბურჟ. სამხ. სპეციალისტებისათვის მეთაურთა პოსტების ნდობა, არ შეიძლებოდა მათთვის ოპერატიული საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლების მიცემა; მათი ფუნქციები მხოლოდ სათათბირო ხმით უნდა შემოფარგლულიყო. იგი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა არმიის შინაგანი სამსახურის წესდებისა, რ-ის მიხედვითაც წითელარმიელები სამხ. მეთაურებს უნდა მისალმებოდნენ. ამაში სმირნოვი ხედავდა „თვითმპყრობელურ-ბატონყმური წესების გადმონაშთებს“. თვით „ს. ო-შიც“ არ იყო ერთსულოვნება, მისი ზოგიერთი წევრი მთელ რიგ საკითხებში მხარს უჭერდა რკპ (ბ) ცკ-ს. სამხ. საკითხის განხილვისას გააკრიტიკეს ცენტრ. სამხ. დაწესებულებების მუშაობა და ლ. ტროცკის — რესპ. რევ. სამხ. საბჭოს თავრისა—მოლეკწეობა, რ-იც ცდილობდა სამხ. კომისრების როლი არარაობამდე დაეყვანა.

„ს. ო.“ სასტიკად გააკრიტიკა ვ. ი. ლენინმა. მან აღნიშნა, რომ „ს. ო-ის“ თეზისებს იქით დიდი საშიშროება იმალება, დაამტკიცა, რომ „ს. ო-ის“ საყველდურები ცკ-სადმი, თითქოს იგი არ ხელმძღვანელობს სამხ. უწყებას, დაუსაბუთებელია. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამხ. წესდებას არმიაში, მტკიცე და შეგნებული დისციპლინის დამყარებას, წითელი არმიის პროლეტარული ბირთვის, მეთაურთა, სამხ. კომისართა, პარტ.-პოლიტ. აპარატის მნიშვნელობას ჯარების სამხ. სწავლებასა და პოლიტ. აღზრდაში. ყრილობამ მოიწონა ლენინური პოლიტიკა სამხ. საკითხზე, გააკრიტიკა „ს. ო-ის“ მცდარი წინადადებები, ამავე დროს მიიღო ყოველივე სასარგებლო, რაც გამოთქმული იყო ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლებში.

სამხედრო პროკურატურა, იხ. სტ. პროკურატურა.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები რუსეთში, მებრძოლი ორგანოები, რ-თაც აყალიბებდნენ ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1917 ოქტ. — 1918 მარტი). აჯანყებების მომზადების, საბჭ. ხელისუფლების განმტკიცების პროცესში აღნიშნული კომიტეტები მძლავრი იარაღი იყო. მათი შექმნის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის ჩამოყალიბდა საგუბერნიო, საქალაქო, სამაზრო, სარაიონო, არმიაში — ფრონტის, კორპუსის, დივიზიისა და პოლკის ს.-რ. კ-ები მათ უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ შეიარაღებული აჯანყების პირველი შტაბი იყო პეტროგრ. ს.-რ. კ., რ-იც შექმნა პეტროგრ. საბჭომ 1917 წ. 12 (15) ოქტ. პეტროგრადში აჯანყების გამარჯვების დროს ქვეყანაში 40-ზე მეტი ს.-რ. კ. მოქმედებდა. საბჭ. ხელისუფლების ტრიუმფალური მსვლელობის დროს ს.-რ კ-ის შექმნამ მასობრივი ხასიათი მიიღო 25 ოქტ. (7 ნოემბ.) ჩამოყალიბდა მოსკ. ს.-რ. კ რსდმპ (ბ) ცკ-ის მითითებით პეტროგრ ს.-რ. კ-მა სხვადასხვა რ-ნში გაგზავნა კომისართა და აგიტატორთა დიდი რაზმი. ადგილ ს.-რ. კ. მოქმედებდნენ საბჭოსა და პეტროგრ. ს.-რ. კ-თან მჭიდრო კავშირში და მუდმივად იღებდნენ მათ პოლიტ., სამხ. და ფინანსურ დახმარებას. ს.-რ. კ-ის ხელმძღვანელობით წითელმა გვარდიამ ხელში აიღო ძალაუფლება, გაუქმდა დროებითი მთავარობის ორგანოები, დაწესდა კონტროლი კავშირგაბმულობაზე, ტრანსპორტზე, მომარაგებაზე, სამხ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, დაიწყო ბრძოლა სპეკულანტობისა და საბოტაჟის წინააღმდეგ, ცხოვრებაში ტარდებოდა საბჭ. ხელისუფლების, ცკ-ისა და საბჭომსაბჭოს დეკრეტები და დადგენილებები და ა. შ. რუს.-გერმ. ფრონტზე საფრონტო ს.-რ. კ. მოლაპარაკებას მართავდნენ დაზავების საკითხებზე. სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელთა და უცხოეთის ინტერვენტთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იქმნებოდა არალეგალური ს.-რ. კ.

საბჭ. სახელმწ. აპარატის ორგანიზაციასთან და საბჭ. ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად ს.-რ. კ-მა თანდათანობით დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მის ფუნქციებს კი უკვე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები ასრულებდნენ.

სამხედრო რეფორმა 1924—25 სსრკ კავშირში, სამოქალაქო ომისა და სამხ. ინტერვენციის (1918—20) დამთავრების შემდეგ კომპარტიამ და საბჭ. მთავრობამ გამოიყენეს საერთაშორისო მდგომარეობის დროებითი სტაბილიზაცია და შესაძლებლად მიიჩნიეს წითელი არმიის რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება და მისი მთლიანად გადაყვანა მშვიდობიანი დროის შტატზე. ომისგან დანგრეული სახ. მეურნ. აღდგენის პირობებში მიზანშეწონილად ჩათვალეს შერეულ საკადრო-ტერიტ. პრინციპზე აგებული არმიის ყოლა. ეს, ერთი მხრივ, მინ. ხარჯებით არმიის მცირე საკადრო ბირთვის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა, რაც საკმარისი იყო მშვიდობიანობის დროს სსრკ-ის სახელმწ. საზღვრების დასაცავად, ხოლო ომის დროს სამხ. ძალების სწრაფი მობილიზაციისათვის; მეორე მხრივ, ქვეყანას შეეძლო წარმოებისაგან მშრომელთა მოუწყვეტლად სამხ. სწავლებაში ჩაება სამხ. ვალდებულთა დიდი რაოდენობა. რკპ (ბ)-ის ცკ-მა მიიღო საბჭ. შეიარაღებული ძალების გარდაქმნის ვრცელი პროგრამა, რ-იც საფუძვლად დაედო ს. რ-ს. მისი მომზადება და უშუალო განხორციელება დაევალა სპეც. კომისიას მ. ფრუნზეს მეთაურობით. ს. რ. გატარდა ლ. ტროცკისა და მის მომხრეებთან მწვავე ბრძოლაში. 1925 იანვ. ტროცკი გადააყენეს სამხ. და საზღვ. საქმეთა სახ. კომისრისა და სსრკ რევ.-სამხ. საბჭოს თავ-რის პოსტიდან და მის ადგილზე მ. ფრუნზე დანიშნეს. ს. რ-ის შედეგად წითელმა არმიამ მიიღო მტკიცე საშტატო რაოდენობა (562 ათ. კაცი). მის შემადგენლობაში შედიოდა 26 საკადრო მსროლელი დივიზია, თითქმის მთელი კავალერია, ტექ. ნაწილები და სამხ.-საზღვ. ფლოტი.

სამხედრო რეფორმები XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოში, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ღონისძიებებისა კომპლექსი, რ-იც მიზნად ისახავდა საქართველოს ლაშქრის გაწყვრთნა-ორგანიზებას და სამხარ მოქმედებათა ტაქტიკისა და სტრატეგიის გარდაქმნა-გაუმჯობესებას. დავით აღმაშენებელმა მკაცრი სამხ დისციპლინა შემოიღო ჯარში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლაშქრის კარგად გაწვრთნას, ამ მიზნით მან არსებულ წესებში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა მოქმედების სისწრაფისათვის ქვეითი ჯარი შეიცვალა ცხენოსანი რაზმებით ფართოდ იქნა გამოყენებული მტრის შემოტყუებისა და მასზე მოულოდნელად თავდასხმის ხერხი შეიქმნა მზვერავების (მსტოვრები) ფართო ქსელი საქართვ. ლაშქრის ერთერთი მნიშვნელოვანი თვისება იყო სწრაფი მანევრირების უნარი, რასაც ხელი შეუწყო დავითის მიერ აგებულმა ხიდებმა და მოწესრიგებულმა გზებმა. დიდი ყურადღება მიექცა წინამბრძოლებს, რ-თა მოვალეობა იყო პირველნი შებმოდნენ მტერს. თვით დავით აღმაშენებელი „უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი“ ყოფილა. საქართველოში მუდმივი ლაშქრის შექმნისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ყივჩაყთა ჩამოსახლებას საქართველოში 1118—20 წლებში (იხ. სტ. *ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში 1118*). დავით აღმაშენებელმა „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ ყივჩაყი უზრუნველყო საჭურვლითა და ცხენებით და კარგად გაწვრთნა. ყივჩაყთა ვალდებულება საქართვ. ფეოდ. სახელმწიფოს მიმართ მხოლოდ სამხ. სამსახური იყო, ამდენად ისინი მუდმივ ლაშქარს წარმოადგენდნენ. საჭიროების შემთხვევაში მეფეს შეეძლო შეეყარა „თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი“, რ-ებსაც, როგორც ჩანს, გადამწყვეტ მომენტებში იყენებდა მეფე (მაგ., *დიდგორის ბრძოლაში* საქართველოს ლაშქარი ასე გამოიყურებოდა: ა) ქართველთა ლაშქარი — ქართვ. მოსახლეობისაგან შედგენილი, ომის წინ საგანგებოდ შეკრებილი ლაშქარი; ბ) „მონა-სპა“ — მეფის თანმხლები 5 ათ. მხედრისაგან შემდგარი ლაშქარი; გ) ყივჩაყთა ლაშქარი — მუდმივი ლაშქარი; დ) „როქის სპა“ — დაქირავებული ლაშქარი. ეროვნების მიხედვით: 40 ათ. ქართველი, 15 ათ. ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ევროპელი რაინდი).

საქართველოს სამეფო კარის მიერ გატარებულმა სამხ. ღონისძიებებმა ქვეყანა გაამაგრა და გააძლიერა, შექმნა მტკიცე საფუძველი ფეოდ. საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1. თბ., 1955.

ლიტ.: მესხია შ., ძლევაჲ საკვირველი, თბ., 1972; მეტრეველი რ., დიდნი საქმენი (XI ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1978.

რ. მეტრეველი.

სამხედრო საბჭო, ჯარების ხელმძღვანელობის კოლექტიური ორგანო სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სამხ. ოლქებსა (ფლოტებსა) და ჯარების ჯგუფებში. ს. ს-ს თავ-რეა სარდალი. ს. ს. შეიქმნა სამოქალაქო ომის დროს და ეწოდა რევ. ს. ს. (რსს). 1918 წ. 2 სექტ. საკ. ცაკმა დააარსა რესპუბლიკის რევ. ს. ს. (რრსს), რ-მაც დიდი როლი ითამაშა რეგულარული წითელი არმიის შექმნისა და ფრონტებზე ჯარების ხელმძღვანელობის საქმეში. 1923 აგვ. რსს გარდაიქმნა სსრკ რსს-დ. 1938 მარტში შეიქმნა წითელი

არმიის მთავარი ს. ს., აპრილში — სამხ.-საზღვ. ფლოტის მთავარი ს. ს. 1950-იდან ს. ს-ები კოლეგიალური ორგანოებია. 1958 აპრ-იდან ს. ს-ში შედიან: სარდალი (თავ-რე), პოლიტსამმართველოს უფროსი, რესპ. ან საოლქო (სამხარეო) ცკ-ის მდივანი, მთავარსარდლის 1-ელი მოადგილე, შტაბის უფროსი და სხვ.

სამხედრო-საექიმო ექსპერტიზა ს ს რ კ-შ ი, სამედიცინო გამოკვლევა სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად და სამხედრო მოსამსახურეთა სპეციალური მკურნალობის, ავადმყოფობის მიზეზით შვებულებაში გასვლის ან სამხ. სამსახურიდან დათხოვნის საკითხების გადასაჭრელად. ს.-ს. ე-ს ატარებს სამხ. კომისარიატებთან მუდმივმოქმედი სამხ.-საექიმო კომისიები (სსკ), რ-ებშიც შედის არანაკლებ 3 ექიმისა. თავის მუშაობაში ს.-ს. ე. ძირითადად ხელმძღვანელობს „დაავადებათა და ფიზიკურ ნაკლთა განრიგით“, რის თაობაზეც არსებობს თავდაცვის მინისტრის სპეც. ბრძანება; განრიგი შედგენილია იმ დაავადებების ნომენკლატურისა და კლასიფიკაციის შესაბამისად, რ-ებიც გათვალისწინებულია საბჭ. არმიისა და სამხ.-საზღვ. ფლოტისათვის. სსკ-ის მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი ევალება ოლქების (ფლოტის) და ჯარების სახეობათა სსკ-ებს. ს. ს. ე-ის უმაღლესი ორგანოა სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრ. სსკ.

სამხედრო-საველე თერაპია, სამედიცინო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის საომარი იარაღის მოქმედების ან სამხედრო მოსამსახურეთა ყოფის სპეციფიკის შედეგად გაჩენილი შინაგანი დაავადებების კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებებს, მათ მკურნალობასა და პროფილაქტიკას; ამუშავებს და პრაქტიკაში ნერგავს სამედ. ევაკუაციის დროს სამედ. დახმარების სრულყოფილ ფორმებს. ს.-ს. მ-ის ძირითადი ამოცანაა ომისა და მშვიდობიანობის პირობებში სამხ. ძალების პირადი შემადგენლობის ავადობის შესწავლა, აგრეთვე ჭრილობით, აფეთქების ტალღით, თერმული დამწვრობით ან მოყინვით გამოწვეული პათოლ. პროცესების ეტიოლოგიის, ადრეული დიაგნოსტიკის, პათოგენეზის, კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტ. საკითხების შესწავლა; ომის პირობებში ყველაზე ხელმისაწვდომი და ეფექტური სამკურნ. და პროფილაქტ. ღონისძიებების გატარება, სამხ.-საექიმო ექსპერტიზის საკითხების შემუშავება და სხვ. ს.-ს. მ., როგორც დარგი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. ომის დასაწყისშივე შეიქმნა თერაპიული ავადმყოფების ეტაპური მკურნალობის სისტემა; გამოვლინდა სამხ. პერიოდის პათოლოგიის თავისებურება და სხვ. ყველა ფრონტის ექიმების კოლექტივებმა ყველაზე გამოჩენილ თერაპევტებთან (მ. ვოვსი, ვ. ვასილენკო, ე. გელშტეინი, პ. ეგოროვი, ნ. კურშაკოვი, ნ. მოლჩანოვი, ა. მიასნიკოვი, ს. პოსპელოვი და სხვ.) ერთად შეისწავლეს ს.-ს. მ-ის აქტ. საკითხები, განაზოგადეს სამედ. ევაკუაციის დროს ჩატარებული სამუშაო და ომის დამთავრების შემდეგ გამოსცეს მრავალტომიანი ნაშრომი „საბჭოთა მედიცინის გამოცდილება დიდი სამამულო ომის დროს 1941—45 წწ.“ (ტ. 1—35, 1951—55).

ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება ს.-ს. მ-ის ახ. აღმავლობით. საბჭ. და უცხოელი თერაპევტები დიდ ყურადღებას უთმობენ კომბინირებული საბრძოლო დაზიანებების მკურნალობის ახ. ფორმებისა და მეთოდების დამუშავებას.

ლიტ.: Молчанов Н. С., Военно-полевая терапия, Л., 1961.

სამხედრო-საველე ქირურგია, სამედიცინო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის საბრძოლო ტრავმებს, მათ კლინიკას, აგრეთვე ამუშავებს დაჭრილთა და დაზიანებულთა მკურნალობის წესებსა და მეთოდებს ჯარების საბრძოლო მოქმედების სხვადასხვა ვითარებაში. ს.-ს. ქ-ის თეორ. საფუძველია ერთის მხრივ *ქირურგია*, მეორეს მხრივ — სამედ. სამსახურის ტაქტიკა, ხოლო მისი ძირითადი ამოცანაა ნებისმიერ საომარ პირობებში კვალიფიციური ქირურგ. დახმარების აღმოჩენა.

ს.-ს. ქ-ის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ჟ. ლისტერის მიერ შემოღებულმა ჭრილობათა მკურნალობის ანტისეპტიკურმა მეთოდმა. ს.-ს. ქ-ის, როგორც სამედ. დისციპლინის შექმნაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნ. *პიროგოვს*, რ-მაც ჩამოაყალიბა მისი ზოგადი დებულებანი; მანვე 1847, პირველად ომის პირობებში, გამოიყენა ჯერ ეთერის, შემდეგ კი ქლოროფორმის *ნარკოზი*, რითაც გზა გაუკაფა ს.-ს. ქ-ში აქტ. მეთოდების დანერგვას. ს.-ს. ქ-ის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საერთოდ ქირურგ., *ბაქტერიოლოგიის*, *ასეპტიკის*, *ანტისეპტიკის* და სხვათა მიღწევებთან.

დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ე. წ. ეტაპური მკურნალობა საფუძვლად დაედო საბჭ. არმიის მებრძოლთა მკურნალობის ახ. სისტემის განვითარებას. განსაზღვრა სამედ. ევაკუაციის ყველა ეტაპი, ქირურგ. დახმარება მაქსიმალურად მიუახლოვდა ფრონტს, რამაც საგრძნობლად შეამცირა ჰოსპიტალში დაჭრილთა მოხვედრის ვადა. დაჭრილებს პირველ დახმარებას უწევდნენ პოლკის სამედ. პუნქტში, ხოლო კვალიფიციურ სამედ. დახმარებას— დივიზიის სამედ. პუნქტებსა და საველე მოძრავ ჰოსპიტალში. არმიებსა და ფრონტებზე გამოყოფილი იყო ჰოსპიტლები მსუბუქად დაჭრილი მებრძოლებისათვის, რ-ებიც ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ ისევ ბრუნდებოდნენ მოქმედ არმიაში. ამგვარმა ღონისძიებებმა მკვეთრად შეამცირა ჭრილობით გამოწვეული სიკვდილიანობა და გაზარდა მოქმედ ნაწილებში დაბრუნებული მებრძოლების რაოდენობა.

ომის შემდგომ პერიოდში სხვადასხვა ახ. საბრძოლო იარაღის შემოღებამ ს.-ს. ქ-ის წინაშე დააყენა ახ. ამოცანები, რათა გადაჭრან საწყვეტად იღვწიან ჩვენი ქვეყნის ქირურგები.

ლიტ.: Вишневский А. А., Шрайбер М. И., Военно-полевая хирургия, 2 изд., М., 1968.

სამხედრო-საზღვაო დროშა, ნიშანი, რ-იც განასაზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს განეკუთვნება სამხედრო ხომალდი (გემი). ს.-ს. დ. გაჩნდა ძვ. რომში. საბოლოოდ დამკვიდრდა XVI—XVIII სს-ში. რუსეთში XVIII ს. დასაწყისში შემოიღეს ირიბი, ცისფერი ს.-ს. დ., რ-ზედაც ანდრიას ჯვარი იყო გამოსახული (ანდრიას დროშა). სსრკ-ში ს.-ს. დ. შემოიღეს 1923 წ. 24 აგვისტოს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი (სსფ; ზოგ ქვეყანაში — სამხედრო-საზღვაო ძალები — სსძ), შეიარაღებული ძალების სახეობა, რ-ის დანიშნულებაა სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების შესრულება საომარი მოქმედების საოკეანო და საზღვაო ასპარეზზე. თანამედროვე სსფ-ს შეუძლია სტრატეგიული ბირთვული ძალებით დაარტყას მტრის დიდმნიშვნელოვან ობიექტებს, ზღვასა და ბაზებში გაანადგუროს მისი ფლოტის ძალები, მოშალოს მტრისა და დაიცვას თავისი საოკეანო და საზღვ. კომუნიკაციები, ხელი შეუწყოს სახმელეთო ჯარებს ოპერაციების ჩატარებაში საომარი მოქმედების კონტინენტურ ასპარეზზე, გადასხას საზღვ. დესანტი და აღკვეთოს მტრის დესანტის გადმოსხმა, გადაიყვანოს ჯარები, მიზიდოს მატერ. საშუალებები, მოახდინოს დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაცია.

სსფ შორეულ წარსულში წარმოიშვა. თავდაპირველად აგებდნენ სავაჭრო გემებს, შემდეგ — სამხ. (ნიჩბიან) ხომალდებს, რ-ებიც განსაკუთრებით ძვ. საბერძნეთსა და რომში განვითარდნენ. ბრძოლის ძირითადი ხერხი იყო თარანი, იყენებდნენ ქვებისა და ცეცხლგამჩენი ნივთიერებების სატყორცნ მანქანებს. X—XII სს-ში გაჩნდა აფრიანი გემები. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში XVII ს-ში შეიქმნა მუდმივი ფლოტები. რეგულარული სსფ-ის შექმნა რუსეთში 1694 დაიწყო. 1700—21 ჩრდილოეთის ომის შემდეგ რუსეთი დიდ საზღვ. სახელმწიფოთა რიგში ჩადგა.

XVIII ს. II ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებამ და კოლონიებისათვის ბრძოლამ დააჩქარა სამხ. ფლოტის განვითარება. XIX ს. დასაწყისში გაჩნდა ორთქლისძრავიანი საბრძოლო ხომალდები, უფრო გვიან — მძლავრი არტილერიით შეიარაღებული ფოლადის ჯავშნოსანი ხომალდები, კაზემატური (შეჯავშნული სათავსოებით), ბარბეტული და კოშკიანი ჯავშნოსნები. სადაზვერვოდ და კომუნიკაციების გასანადგურებლად აგებდნენ სწრაფ კრეისერებს. XIX ს. ბოლოს შეიქმნა ხომალდების ახალი კლასები — ნაღმგამდლობები და ნაღმოსნები, შეშუშავდა საზღვ. ბრძოლის პრინციპულად ახ. ტაქტიკა, 1904—05 რუს.-იაპ. ომის შემდეგ საზღვ. ომის გადამწყვეტ ძალად სახაზო ხომალდები იქნა მიჩნეული. პირველი სახაზო ხომალდი („დრედნოუტი“) 1905—06 ინგლისელებმა ააგეს. დაზვერვის, მტრის საესკადრო ნაღმოსნებთან საბრძოლველად და მისი კომუნიკაციების გასანადგურებლად ბევრმა ქვეყანამ მსუბუქი კრეისერების მშენებლობა დაიწყო. XX ს. დასაწყისში ზოგიერთმა სახელმწიფომ ჰიდროთვითმფრინავების მშენებლობა დაიწყო. I მსოფლიო ომის (1914—18) ბედი სახმელეთო ასპარეზზე წყდებოდა, მაგრამ ოკეანეებსა და ზღვებზე ბრძოლებმა სერიოზული გავლენა მოახდინეს სახმელეთო ოპერაციებისა და კამპანიების მსვლელობაზე. I მსოფლიო ომის ბოლოს გამოჩნდა ხომალდების ახ. კლასები: ავიამზიდები, სადარაჯო ხომალდები, სატორპედო კატარღები. საზღვ. ბრძოლებში პირველად ჩაება ავიაცია, რ-იც შეიარაღებული იყო ტორპედოებით. I და II მსოფლიო ომებს შორის კაპიტალ. ქვეყნებში უპირატესად სახაზო ხომალდებს აგებდნენ.

II მსოფლიო ომის (1939 — 45) წინ გერმანიის გარდა, ყველა ფლოტში იყო ბომბდამშენი, ნაღმსატორპედო, მზვერავი და გამანადგურებელი ავიაცია. ვითარდებოდა ხომალდების საარტ. და სატორპედო იარაღი, შეიქმნა არაკონტაქტური ნაღმები, ნავსაწინააღმდეგო იარაღი, რადიოლოკაცია და პიდროლოკაცია. განვითარდა სახმელეთო და საავიამზიდო ბაზირების ავიაცია, მნიშვნელოვანი ადგილი საბრძოლო მოქმედებაში წყალქვეშა ნავებს მიენიჭა. წყალქვეშა ნავებთან ბრძოლაში იყენებდნენ წყალზედა ხომალდებს, ავიაციას, წყალქვეშა ნავებს და სანაღმო იარაღს.

II მსოფლიო ომის (1939—45) შემდგომ პერიოდში კაპიტალ. ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის სსძ-ის მშენებლობაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების, აგრეთვე საავიამზიდო ავიაციისა და ავიამზიდების შექმნას. წყალზედა ხომალდებზე გაჩნდა საზენიტო, ნავსაწინააღმდეგო და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, ხოლო ატომურ წყალქვეშა ნავებზე — 2800—5000 *კმ* და უფრო მეტი ფრენის სიშორის სტრატეგიული რაკეტები. ხომალდებისა და სსძ-ის თვითმფრინავების აღჭურვილობაში მკვეთრად იმატა რადიოელექტრონულმა საშუალებებმა. გაიზარდა ნავსაწინააღმდეგო, სადესანტო და სხვ. ვერტმფრენების მნიშვნელობა, გაჩნდა ახ. კლასის ხომალდები (ნავსაწინააღმდეგო და სადესანტო ვერტმფრენმზიდი და სხვ.).

ესსრაფვიან რა პოლიტიკის გატარებას ძალის პოზიციიდან, იმპერიალისტები სსძ-ს იყენებენ, როგორც თავიანთი პოლი-

ტიკის იარაღს, დიპლომატიის საყრდენს. ამიტომ აშშ-ის მე-6 ფლოტი მუდმივად იმყოფება ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო მე-7 ფლოტი — სამხრ.-აღმ. აზიის წყლებში და პერიოდულად ინდ. ოკეანეში. XX ს. 70-იანი წწ. დასაწყისში სახელმწ. ბირთვული ძალების სიმძიმის ცენტრმა ზღვაზე იწყო გადანაცვლება. ამასთან, მთავარი ყურადღება დაეთმო ატომური წყალქვეშა ნავების, როგორც ბირთვული მუხტების მქონე სტრატეგიული რაკეტების მთავარი მატარებლის, განვითარებას.

დეკრეტს საბჭ. წითელი სსფ-ის შექმნის შესახებ ვ. ი. ლენინმა 1918 წ. 29 იანვ. (11 თებ.) მოაწერა ხელი. სამოქალაქო ომისა და სამხ. ინტერვენციის წლებში (1918—20) ბალტიის ფლოტი იცავდა პეტროგრ. მისადგომებს, არ აძლევდა საშუალებას ინგლ. ფლოტს გაჭრილიყო ფინ. ყურის აღმ. ნაწილში და თეთრგვარდიელებს დახმარებოდა, მხარს უჭერდა სანაპირო ზოლში მოქმედ საბჭ. არმიის ნაწილებს. სამოქალაქო ომის დროს ჩაისახა საბჭ. საზღვ. ხელოვნება.

1921 რკპ (ბ) X ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სსფ-ის აღდგენის შესახებ. დაიწყო ხომალდების აღდგენა და კვალიფიცირებული კადრების მომზადება. შეიქმნა სამხ.-საზღვ. სასწავლებლები, განხორციელდა საბაზო გემების ნაწილობრივი მოდერნიზება, 1937 დაარსდა სსფ-ის სახ. კომისარიატი.

დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში სსრკ-ის სსფ გმირულად ებრძოდა მტრის საზღვაო ძალებს, საიმედოდ იცავდა საომარი და სამეურნეო ტვირთის გადაზიდვას ზღვაზე, ტბებზე, მდ-ებზე. მხარს უჭერდა საბჭ. არმიის ზღვისპირა დაჯგუფებებს თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების ჩატარებაში. სსფ-ის დაახლ. 500 ათ. მატროსი და ოფიცერი გმირულად იცავდა ოდესას, სევასტოპოლს, მოსკოვს, ლენინგრადს, ომის წლებში სფ-მა გადახსნა 100-ზე მეტი საზღვ. ოპერატიული და ტაქტ. დესანტი. ომის შემდეგ სსრკ-ში უპირატესობა ენიჭებოდა დიდი წყალზედა ხომალდების, აგრეთვე თავიანთი ბაზიდან შორსმოქმედი დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავების მშენებლობას. 50-იან წლებში შეიქმნა რაკეტებისა და ტორპედოების ბირთვული მუხტები, წარმატებით ვითარდებოდა საზღვ., სახმელეთო და საჰაერო მიზნების დასაზიანებელი რაკეტები, რადიოელექტრონიკა, დაიწყო ატომისძრავიანი წყალქვეშა ნავების აგება. შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების ატომური და სპეც. დანიშნულების წყალქვეშა ნავები, რაკეტული ხომალდები და კატარღები, ნავსაწინააღმდეგო ხომალდები, ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავები და შვეულმფრენები. სსფ შეიარაღდა სარაკეტო კომპლექსებით, საზღვ. ქვეითი ჯარი აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, სრულყოფილი ხდება სსფ-ის გამოყენების ფორმები და ხერხები.

სსრკ სსფ შედგება ძალთა შემდეგი გვარეობებისაგან: წყალზედა ხომალდები, წყალქვეშა ნავები, ავიაცია, სანაპირო სარაკეტო-საარტ. ჯარები, საზღვ. ქვეითი ჯარი, აგრეთვე დამხმარე ფლოტის გემები, სხვადასხვა სამსახური და სპეც. დანიშნულების ნაწილები. თანამედროვე პირობებში სსფ-ის მთავარი გვარეობებია წყალქვეშა ნავები და სსფ-ის ავიაცია. სსფ-ის ავიაციაში შედის საზღვ. რაკეტმზიდი, ნავსაწინააღმდეგო, მზვერავი და სხვ. სპეც. დანიშნულების თვითმფრინავები. წყალზედა ხომალდები იყოფა სარაკეტო (შეიარაღებულია ფრთოსანი რაკეტებით), ნავსაწინააღმდეგო (შეიარაღებულია ეერტმფრენებით, რაკეტებით, ტორპედოებითა და სიღრმული ბომბებით), საარტ.-სატორპედო (კრეისერები და საესკადრო ნაღმოსნები), ნავსაწინააღმდეგო (აღჭურვილია რადიოელექტრონული საშუალებებით) და სადესანტო კლასებად.

სსრკ-ის სსფ შედგება: წითელდროშოვანი ჩრდილოეთის, წყნარი ოკეანის, შავი ზღვის, ორჯერ წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტების, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის, ლენინგრ. წითელდროშოვანი სამხ.-საზღვ. ბაზისაგან. სსფ-ს ხელმძღვანელობს მთავარსარდალი — სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე. მის განკარგულებაშია სსფ-ის მთავარი შტაბი და სსფ-ის ცენტრ. სამმართველოები.

აშშ-ის, დიდი ბრიტ. და საფრ. სსძ შეიცავენ სტრატეგიულ ბირთვულ ძალებსა (რაკეტმზიდი ატომური წყალქვეშა ნავები) და საერთო დანიშნულების ძალებს (ავიამზიდები, მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავები, საესკორტო ხომალდები, ცეცხლით მხარდაჭერის ხომალდები და სხვ.), აგრეთვე სამხ.-საზღვ. ძალების ავიაციასა და საზღვ. ქვეით ჯარს. მათი წყალქვეშა ნავები აღჭურვილია სახმელეთო მიზნების დაზიანებისათვის განკუთვნილი ბირთვული მუხტის მქონე რაკეტებით. ნავსაწინააღმდეგო ძალების შემადგენლობაშია ავიამზიდი, ატომური და დიზელძრავიანი მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავები, საპატრულო თვითმფრინავები, საესკორტო ხომალდები და ამფიბიები. აშშ-ის, დიდი ბრიტ. და საფრ. სსძ-ის შემადგენლობაშია საზღვ. ავიაცია და საზღვ. ქვეითი ჯარი. აშშ-ის სსძ შედგება ატლანტისა და წყნარი ოკეანეების ფლოტებისაგან. პირველში შედის მე-2 და მე-6, მეორეში — მე-3 და მე-7 ოპერატიული ფლოტები, რ-ებიც გათვალისწინებულია ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად მსოფლიოს სხვადასხვა რ-ნში. აშშ-ის სსძ-ს საერთო ხელმძღვანელობას უწევს სამხ.-საზღვ. მინისტრი, რ-იც თავდაცვის მინისტრს ექვემდებარება.

სსრკ-ის სსფ-ის დღე ყოველწლიურად აღინიშნება 22 ივლ. მომდევნო პირველ კვირა დღეს (დაწესდა 1939 წ. 22 ივლისს).

ლიტ.: Боевой путь Советского военно-морского флота, 3 изд., М., 1974; Горшков С. Г., Морская мощь государства, 2 изд., М , 1979.

სამხედრო-საზღვაო ხელოვნება, ზღვაზე შეიარაღებული ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; სამხ. ხელოვნ. შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე ს.-ს. ხ. შეიცავს სამხ.-საზღვ. ფლოტის სტრატეგიულ გამოყენებას, ოპერატიულ ხელოვნებასა და ტაქტიკას. ს.-ს. ხ-ის ელემენტები ჩაისახა მონათმფლობელურ ქვეყნებს შორის ომების დროს. საზღვ. ბრძოლა გულისხმობდა ფლოტის თავმოყრასა და მოწყობას შერჩეულ პოზიციაზე — ზღვის ნაპირთან ან ვიწროებში, დარტყმის დროისა და მიმართულების დადგენას, მტრის ფლოტის დანაწევრებასა და ცალ-ცალკე მოსპობას. ბრძოლის ბედს წყვეტდა ტარანული დარტყმა და მოწინააღმდეგის გემის ჩაძირვა ან აბორდაჟული ბრძოლით ხელში ჩაგდება. ადრინდ. ფეოდალიზმის ეპოქის ევროპაში (X ს-მდე) ს.-ს. ხ. ფაქტობრივად არ განვითარებულა.

ქართ. საისტორიო წყაროებისა და ლიტ. ძეგლებში მითითებული საზღვ. ობიექტებისა (კარჭახა, კატარღა, ხომალდი, დრომონი და სხვ.) და მოხელეთა (მხერვალი — ნავის წინამძღოლი, ნავსე — ნავის მშენებელი, მებორე — მენავეთუხუცესი, ნაკვოსოლარი — მენავეთმოძღვარი და ა. შ.) ვრცელი ნომენკლატურა, აგრეთვე ტარანულ-აბორდაჟული საზღვ. ბრძოლების აღწერა ადასტურებს, რომ საზღვ.-სამდ. გზებზე მდებარე ფეოდ. საქართველოში არსებობდა საკუთარი საზღვ.-სამდ. საშუალებები და სამხ.-სამეურნეო მიზნებისათვის მათი გამოყენების საქმესაც იცნობდნენ.

X—XII სს-ში გაჩნდა აფრიანი გემები, სანავიგაციო საშუალებები (კომპასი, სექსტანტი, საზღვ. რუკები). XVII სს-ში დასრულდა ნიჩბიანი ფლოტის გარდაქმნა აფრიან ფლოტად. XV—XVI სს. კოლონ. იმპერიებში (ესპანეთი, პორტუგალია, ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია) ჩასახულმა სტრატეგიამ აამაღლა სამხ.-საზღვ. ფლოტის როლი ომებში; მას უკვე დამოუკიდებელი ამოცანების ეადაწყვეტას აკისრებდნენ. XVII ს-ში იქმნება მუდმივი სამხ.-საზღვ. ფლოტი საბაზო გემებითა და რეგატებით. სტრატეგიული მოქმედების ძირითადი ხერხი იყო გენ. ბრძოლა, რ-იც მიზნად ისახავდა მტრის ფლოტის განადგურებას, ფლოტის ბლოკადას ბაზებსა და პორტებში, საზღვ. დესანტის გადასხმას. XVII—XVIII სს-ში ბატონობდა სახაზო ტაქტიკა (ესკადრები იბრძოდნენ კილვატერულ მწყობრში შემხვედრსა და პარალელურ კურსებზე). ს.-ს. ხ-ში დიდი წვლილი შეიტანა რუს. ფლოტმა. რუს. ფლოტის მეთაურებმა გ. *სპირიდოვმა* და თ. *უშაკოვმა* ახალი ეტაპი შექმნეს ს.-ს. ხ-ში, მათ უარყვეს სახაზო ტაქტიკა და მანევრული ტაქტიკის შემწეობით მოიპოვეს რიგი წარმატებები საზღვ. ბრძოლებში. რუს. ფლოტის გამოცდილება და მანევრული ტაქტიკის პრინციპები გამოიყენა ინგლ. ადმ. ჰ. *ნელსონმა* აბუკირისა (1798) და ტრაფალგარის (1805) ბრძოლებში. XIX ს. II მეოთხედი აფრიანი ფლოტის ორთქლისძრავიან ფლოტად გარდაქმნის პერიოდი იყო. გაჩნდა ხომალდების ახ. კლასები: ჯავშნოსნები, ჯავშნიანი კატარღები, მონიტორები, ნაღმოსნები და სხვ. ადმ. ს. *მაკაროვმა* პირველმა შეიმუშავა ნაღმურ-ტორპედული იარაღის გამოყენების ტაქტიკა და წამოიწყო ჯავშნიანი ფლოტის ტაქტიკის, როგორც მეცნ., შემუშავება. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ამერ. კონტრ-ადმ. ე. მეჰენმა და ინგლ. ვიცე-ადმ. ფ. კოლომბმა შეიმუშავეს „ზღვაზე ბატონობისა“ და „საზღვაო ძლიერების“ თეორიები, ხოლო ინგლ. სამხ.-საზღვ. თეორეტიკოსმა ჯ. კორბიტმა — მათი რეალიზაციის გზები. I მსოფლიო ომის გამოცდილებამ უარყო ამ თეორიების ძირითადი დებულებები. რუს.-იაპ. 1904—05 ომის მსვლელობაში ს.-ს. ხ. გამდიდრდა სამხ.-საზღვ. ბაზის თავდაცვისა და ბლოკადისაწინააღმდეგო მოქმედების გამოცდილებით (პორტ-არტურის დაცვა). ჩაისახა დიდი ძალებით საზღვ. ბრძოლის წარმართვის ტაქტიკის საფუძვლები (ცუსიმის საზღვ. ბრძოლა 1905, ბრძოლა ყვითელ ზღვაში და სხვ.). I მსოფლიო ომში წარმატებით მოქმედებდნენ საესკადრო ნაღმოსნები, მსუბუქი კრეისერები, წყალქვეშა ნავები. ს.-ს. ხ-მ წამოაყენა სამხ.-საზღვ. ფლოტის მოქმედების ახ. ფორმა — ოპერაცია. რუს. ს.-ს. ხ-მ დაამუშავა საზღვ. ბრძოლის ხერხები წინასწარ მომზადებულ სანაღმო-საარტ. ბოზიციებზე.

საბჭ. ს.-ს. ხ. ჩაისახა სამოქალაქო ომისა და სამხ. ინტერვენციის წლებში (1918—20). ომისწინა ხუთწლედში დაისახა დიდი საზღვ. და საოკეანო ფლოტის შექმნის ამოცანა. ამან განაპირობა საბჭ. ს.-ს. ხ-ის თეორიის შემდგომი განვითარება. შეიქმნა ს.-ს. ხ-ის ახ. დარგი — სამხ.-საზღვ. ფლოტის ოპერატ. ხელოვნება.

ახ. ტექ. საფუძველზე დამუშავდა სამხ.-საზღვ. ფლოტის ტაქტიკა, ფლოტის. ოპერატიულად გამოყენების საკითხები, ზღვისპირა მიმართულებებზე სახმელეთო ჯარებთან თანამოქმედების ხერხები.

II მსოფლიო ომის წინ კაპიტალ. ქვეყნების ფლოტები შეიარაღდა ავიამზიდებით, კრეისერებითა და საზღვ. ავიაციით. განვითარდა რადიოლოკაცია და ჰიდროლოკაცია. ომის შემდეგ მეცნ.-ტექ. პროგრესის ზეგავლენით უდიდესმა საზღვ. სახელმწიფოებმა შექმნეს ხარისხობრივად ახ. ფლოტები, რ-ებიც შეიარაღებულია ატომური წყალქვეშა ნაეებით, მძლავრი საზღვ. ავიაციითა და ახ. წყალზედა ხომალდებით. საბჭ. სამხ.-საზღვ. ფლოტის დამრტყმელ ძალას რაკეტებითა და ტორ-

სსრკ სსფ-ის მთავარსარდლები (სარდლები, რესპუბლიკის საზღვაო ძალების უფროსები, საბკომები, მინისტრები)

1917—18
მ. ივანოვი, პ. დიბენკო, ვ. ალტფატერი, თ. რასკოლნიკოვი
1918 — 19
ვ. ალტფატერი
1919—20
ე. ბერენსი
1920—21
ა. ნემიტცი
1921—24
ე. პანცერჟანსკი
1924—16
ვ. ზოფი
1926—31
რ. მუკლევიჩი
1931—37
ვ. ორლოვი (ფლოტის I რანგის ფლაგმანი)
1937 — 38
მ. ვიქტოროვი (ფლოტის I რანგის ფლაგმანი)
1938 — ივნ.-აგვ.
პ. სმირნოვი (I რანგის არმიის კომისარი)
1938—39
მ. ფრინოვსკი (I რანგის კომანდარმი)
1939 — 47 და 1951 — 56
ნ. კუზნეცოვი (ფლოტის II რანგის ფლაგმანი, 1940-იდან ადმირალი, 1944-იდან ფლოტის ადმირალი, 1955-იდან სსრკ ფლოტის ადმირალი)
1947—51
ი. იუმაშევი (ადმირალი)
1956-იდან ს. გორშკოვი (ადმირალი, 1962-იდან ფლოტის ადმირალი, 1967 იდან სსრკ ფლოტის ადმირალი).

პედოებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები წარმოადგენს ბრძოლის თანამედროვე საშუალებათა განვითარებამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია ს.-ს. ხ-ის ყველა დარგში თანამედროვე ფლოტს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ზღვაზე სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ს.-ს ხ-ს შემუშავებული აქვს სამხ.-საზღვ ფლოტის ძალების ყველა სახეობის სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მოქმედების ახ. ფორმები და ხერხები, აგრეთვე მტრის მოულოდნელი თავდასხმის უკუგდებისთვის მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

ლიტ : Боевой путь Советского военно-морского флота. 3 изд . М , 1974; Горшков С Г., Морская мощь государства, 2 изд . М , 1979; Организация и вооружение армий и флотов капиталистических государств, 2 изд . М , 1968.

სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება, *სამხედრო ხელოვნების* დარგი, რ-იც მოიცავს ომისათვის სახელმწიფოს სამხედრო-საინჟინრო მომზადების პრობლემათა თეორიულ კვლევასა და პრაქტ. გადაწყვეტას, აგრეთვე საომარ მოქმედებათა საინჟინრო უზრუნველყოფას. ს.-ს ხ. წყვეტს ქვეყნის ტერიტ.. საომარ მოქმედებათა თეატრებისა და შეიარაღებული ძალების სამხ.-საინჟ. მომზადების ამოცანებს; ბრძოლის, ოპერაციის, შეიარაღებული ძალების სახეობათა და ჯარის გვარეობათა საბრძოლო მოქმედების მომზადებისა და წარმოების საინჟინრო უზრუნველყოფის პრობლემებს, განსაზღვრავს შეიარაღებულ ბრძოლაში საინჟინრო ჯარების ორგანიზაციისა და გამოყენების საფუძვლებს და საინჟინრო შეიარაღების საშუალებათა განვითარების მიმართულებას; ამუშავებს საინჟინრო ნაგებობათა კონსტრუქციებს და მათი გამოყენების წესებს. ს.-ს. ხ-ის დარგებია: ფორტიფიკაცია, სამხ. გზები, სამხ. ხიდები და გადასასვლელები, ნაღმ-საფეთქებელი დაბრკოლებები, შენიღბვა, საველე წყალმომარაგება, საველე ენერგომომარაგება, აეროდრომების მშენებლობა, სამხ.-საზღვ. ფლოტის ბაზირების საინჟინრო უზრუნველყოფა და სხვ.

ს.-ს. ხ-ის ელემენტები — ადგილ. პირობების გამოყენება, უმარტივესი სიმაგრეებისა და ღობურების მოწყობა მტრის თავდასხმისაგან დასახლ. ადგილების დასაცავად — შორეულ წარსულში ჩაისახა. მონათმფლობელობის დროს დაიწყეს სიმაგრეების აშენება დასახლ. პუნქტების გარშემო (კართაგენი, ძვ. წ. V ს. და სხვ.) და სახელმწ. საზღვრების გასწვრივ (ჩინ. დიდი კედელი, დერბენდის კედელი კასპიის ზღვიდან კავკასიონამდე და სხვ); აგებდნენ ხიდებს, აწყობდნენ გადასასვლელებს, სამხ. მიზნით გაჰყავდათ გზები; საფუძველი ჩაეყარა ფორტიფიკაციას. ფეოდალიზმის ეპოქამ ს.-ს. ხ-ს მხოლოდ რამდენიმე თეორ. ნაშრომი შესძინა. კაპიტალიზმის პერიოდში იგი სწრაფად განვითარდა და ჩამოყალიბდა მისი უმთავრესი დარგები. ს.-ს. ხ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა რუსმა მხედართმთავრებმა — პეტრე I-მა, ა. სუვოროვმა, მ. კუტუზოვმა და სხვ.

საბჭ. ს.-ს. ხ. ჩაისახა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში 1918—20. 1918 თებ-ში ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა რესპ. საინჟინრო დაცვის კოლეგია, რ-მაც შეიმუშავა მოსაგერიებელი ზღუდეებისა და გამაგრებული რ-ნების სასწრაფოდ მომზადების ღონისძიებები ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ჯარების შეტევების მოსაგერიებლად, დასახა წითელი არმიის მაღალმანევრული ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფის, პოზიციების განმტკიცებისა და გამაგრებული პლაცდარმების მომზადების ხერხები. ამ დროს შეიქმნა სამხ.-საინჟინრო სასწავლებელი და სამხ.-ტექ. აკადემიის საფორტიპიკაციო ფაკ-ტი.

I—II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ს.-ს ხ-ის განვითარებაში მთავარი ადგილი ეკავა ომისათვის სახელმწიფოების სამხ.-საინჟინრო სამზადისისა და საზღვრისპირა სიმაგრეთა სისტემების შექმნის პრობლემებს

სსრკ-ფინ. ომში (1939—40) თეორ. საფუძველი ჩაეყარა და პრაქტ რეკომენდაციები იქნა შემუშავებული მასირებული დანაღმული და სხვ. დაბრკოლებების გადასალახავად, განმღობავი, მოიერიშე ჯგუფებისა და რაზმების გამოყენებას ხანგრძლივი სიმაგრეების („მანერჰაიმის ხაზი") გასარღვევად, პირველად გამოიყენეს სანაღმო ტრალები და ნაღმსაძებნები.

დიდი სამამულო ომის (1941—45) პირველ წლებში წარმატებით იქნა დამუშავებული სახელმწ საზღვრებისა და სტრატეგიული რ-ნების (მოსკოვი, ლენინგრადი და სხვ.) დაცვის საინჟინრო-გამართულობის სისტემა და სხვ საინჟ. ღონისძიებები ომის პერიოდში შეიქმნა და განვითარდა ღრმად ეშელონირებული პოზიციური დაცვის საინჟ გამართულობის სისტემა, უმაღლეს დონეს მიაღწია თავდაცვის გარღვევის, წყლის დაბრკოლებების გადალახვის უზრუნველყოფის, დაკავებული პლაცდარმების საინჟინრო საშუალებებით განმტკიცებისა და ქ-ების შტურმის (კენიგსბერგი, ბერლინი და სხვ) ხელოვნებამ; უფრო ნათლად გამოიკვეთა საინჟინრო ჯარების როლი და ადგილი ბრძოლასა და ოპერაციაში, მათი საბრძოლო გამოყენებისა და ჯარებისა სხვადასხვა გვარეობებთან ურთიერთქმედების ორგანიზაცია, განმტკიცდა უმნიშვნელოვანეს ოპერაციებში საინჟინრო ძალების მასირებული გამოყენების პრინციპი.

ომის შემდგომ პერიოდში მთავარი ყურადღება ექცევა ჯავშან-სატანკო და მექანიზებული ჯარების მოქმედებათა საინჟინრო უზრუნველყოფას, წყლის ზღუდეების ფორსირების წესებს, დაბრკოლებების მოწყობისა და გადალახვის პრინციპებს, საჯარისო და ოპერატიული შენიღბვის წესებს. ბირთვული და სხვა. ახ. იარაღისა და ტექნიკის შექმნამ ს.-ს. ხ-ის წინაშე ახ. სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბის პრობლემები დასახა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ჯარების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის საინჟინრო უზრუნველყოფის პრობლემას, დაზიანების თანამედროვე საშუალებებისაგან ჯარებისა და ზურგის ობიექტების დაცვის საინჟინრო ღონისძიებებს, ჯარების მოქმედების უზრუნველყოფას მასობრივი დანგრევისა და დასენიანების პირობებში.

სამხედრო-სამედიცინო სამსახური, სსრკ შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სპეციალური სამსახური, რ-იც ახორციელებს სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებებს მშვიდობიანობისა და ომის პერიოდში. მშვიდობიანობის პერიოდში ს.-ს. ს-ს ეკისრება სამკურნ.-პროფილაქტ. ღონისძიებების კომპლექსის ჩატარება შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჯარების სანიტ. კეთილდღეობაზე ზრუნვა, მასობრივი, პირველ რიგში, ეპიდემიური დაავადებებისაგან დაცვა; მისი ვალია აგრეთვე შეასწავლოს სამხ. მოსამსახურეებს, თუ როგორ უნდა გაუწიონ პირველი სამედ. დახმარება ჭრილობისა და საომარი დაზიანების დროს; შეიმუშაოს ჰიგიენური ჩვევები გადამდები დაავადებებისაგან თავის დასაცავად; უზრუნველყოს ს.-ს. ს-ის პირადი შემადგენლობის საომარი და სპეც. მომზადების ორგანიზაცია და გატარება. ომის პერიოდში ს.-ს. ს-ის ერთ-ერთი პირველი ამოცანაა შეუნარჩუნოს სიცოცხლე და აღუდგინოს ბრძოლისუნარიანობა რაც შეიძლება მეტ დაჭრილსა და ავადმყოფს. ამ ამოცანების გადაჭრა ევალება ჯარების სამედ. უზრუნველყოფის სისტემას.

პოლკში ს.-ს ს-ს შეადგენს პოლკის სამედ. პუნქტი თავისი ლაზარეთით — ექიმებით, ფერშლებით, ფარმაცევტით, კბილის ექიმითა და სანიტრებით. პოლკის ს.-ს ს-ს ევალება ყველა სამედ.-პროფილაქტ. სანიტ.-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიების ორგანიზაცია და გატარება პოლკებსა და დივიზიაში შემავალი სხვა სამხ. ნაწილების სამედ. ძალები და საშუალებანი დივიზიის ს.-ს. ს-ს შეადგენს. კვალიფიციური სამედ. დახმარების გასაწევად დივიზიაში არის სამედ -სანიტ. ბატალიონი ან ლაზარეთი

ს.-ს. ს-ს აქვს სტაციონარული დაწესებულებების ქსელი — გარნიზონებისა და საოლქო სამხ. ჰოსპიტლები, გარნიზონის პოლიკლინიკები, სამხ სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, სანიტ.-ეპიდსაწინააღმდეგო დაწესებულებები. ს -ს. ს-ს საეროთო ხელმძღვანელობას უწევს სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრ. სამხ.-სამედ სამმართველო.

სამხედრო სამსახური, სახელმწიფოებრივი სამსახურის სახეობა, რ-იც გამოიხატება მოქალაქეთა მიერ შეიარაღებული ძალების რიგებში კანონით დადგენილი სამხედრო ვალდებულების (ბეგარის) მოხდით. ს. ს-ის სოც. არსსა და დანიშნულებას განსაზღვრავს საზ პოლიტ. წყობა, არმიის მიზნები და დანიშნულება.

ს. ს. სსრკ-ის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობაა, რ-ის არსს შეადგენს იარაღით ხელში სოციალ სამშობლოს დაცვა (სსრკ კონსტიტუცია, მ. 63) სოციალ. სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა ვალის შესრულების ყველაზე მკაფიო გამოვლენად ს. ს. ითვლება. ეს დამოწმებულია 1967 წ 12 ოქტ. მიღებული სსრკ კანონით საყოველთაო-სამხ. ვალდებულების შესახებ. ს. ს-ის გავლის წესს ადგენს კანონმდებლობა ან სხვა სამართლებრივი ნორმები, რ-ებიც განსაზღვრავენ სამხ. მოსამსახურეთა და სამხ. ვალდებულთა ყველა კატეგორიის სამსახურებრივ-უფლებრივ მდგომარეობას, პირადი შემადგენლობის დაყოფას სალდათებად, მატროსებად, სერჟანტებად. ზემდებებად, პრაპორშჩიკებად. მიჩმანებად და ოფიცრებად, ნამდვილ ს. ს-სა და თადარიგში ყოფნის ვადებს, სამხ. წოდებების სისტემას და მათი მინიჭების წესს, თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების, ატესტაციის, ს. ს-ში დაწინაურებისა და სხვ. წესებს.

სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ს ს რ კ-შ ი, კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის გავლის წესის დარღვევა. ს. ს. მ. ა. ქმედობის სახ. სამოშრობის ხარისხის, საქმის გარემოებათა მიხედვით ან დისციპლინური გადაცდომაა, ან დანაშაული. დანაშაულად ითვლება, მაგ., თვითნებურად ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვება (იხ. საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 264), დეზერტირობა (მ. 265), ს. ს. მ. ა. ასოთა დაზიანების გზით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით (მ. 267). სასჯელი განისაზღვრება ქმედობის ჩადენის გარემოებათა გათვალისწინებით. მაგ., ს. ს. მ. ა. ასოთდაზიანების ან სხვა გზით ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-იდან 7 წლამდე, ხოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში—სიკვდილით ან თავისუფლების აღკვეთით 5-იდან 10 წლამდე. იხ. აგრეთვე *სამხედრო დანაშაული, დეზერტირობა.* *მ. ლეკვეიშვილი.*

სამხედრო სასწავლო დაწესებულებები, ამზადებენ მეთაურთა, პოლიტიკურ, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სპეციალისტთა კადრებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, ჯარების გვარობათა და სპეც. ჯარებისათვის. სსრკ-ში ს. ს. დ-ს განკუთვნება სამხ. აკადემიები, უმაღლესი და საშ. სამხ. სასწავლებლები, სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სამხ. ფაკ-

ტები, აგრეთვე ოფიცერთა შემადგენლობის სხვადასხვა მოსამზადებელი კურსები, სუვოროველთა და ნახიმოველთა სასწავლებლები და სხვ.

რუსეთში პირველი დაწესებულება იყო სამხ.-საინჟინრო სკოლა, რ-იც 1698 გაიხსნა მოსკოვში. 1798 პეტერბურგში შეიქმნა პირველი სამედ.-ქირურგ. სამხ. აკადემია. ოქტ. სოციალ. რევ გამარჯვებისთანავე სსრკ-ში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შემუშავდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ორგანიზაციისა და სპეც. სამხ. განათლების პრინციპები — შეიქმნა უმაღლესი და საშ. ს. ს. დ.

სამხ. აკადემიები დაკომპლექტდება სათანადო სამხ. სასწავლებელდამთავრებული და პრაქტ. მუშაობის დადგენილი სტაჟის მქონე ოფიცრებისაგან. კანდიდატები შეირჩევიან კონკურსით. უძველესი საერთო-საჯარისო აკადემიაა მ. ფრუნზეს სახ სამხ. აკადემია (ყოფ. გენ. შტაბის აკადემია), რ-იც 1918 ვ. ი ლენინის მითითებით შეიქმნა.

უმაღლესი სამხ. სასწავლებლები (საერთო-საჯარისო, პოლიტ., სატანკო, საინჟინრო, საავიაციო, სამხ.-საზღვ. და სხვ.) ამზადებენ უმაღლესი სპეც. განათლების მქონე ოფიცრებს უძველესი სამხ. სასწავლებელია რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახ. მოსკ. საერთო-საჯარისო სასწავლებელი, რ-იც საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში შეიქმნა. უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტება ხდება ვადიანი და ზევადითი სამსახურის სამხ. მოსამსახურეებით, საშ., ზოგადი ან სპეც. განათლების მქონე სამოქალაქო ახალგაზრდებით, აგრეთვე სუვოროველთა და ნახიმოველთა სასწავლებლების კურსდამთავრებულებით ზოგ სასწავლებელში იღებენ ოფიცრებსაც.

სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების სამხ. ფაკტები ამზადებენ უმაღლესი სამხ.-სპეც. განათლების მქონე სამხ. კადრებს (სამედ., საფინანსო და სხვ.). ისინი პირველად მოსკ. და ლენინგრ. უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნა (მაგ., საჰაერო მიმოსვლის ფაკ-ტი ლენინგრ. საგზაო ინჟინერთა ინ-ტში). ფაკ-ტების დაკომპლექტება ხდება პროფილის შესაბამის ოფიცერთა, რიგითთა და სერჟანტთა (ზემდეგთა) შემადგენლობიდან, აგრეთვე სამოქალაქო ახალგაზრდობიდან. სამხ. ფაკ-ტების სტუდენტები, უმაღლეს სამხ. სპეც. განათლებასთან ერთად, შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებულ სრულ ცოდნას იღებენ.

საჰაერო თავდაცვის სამხ. სასწავლებლებია: ავიატექ., სამშენებლო, საფინანსო და სხვ. საშ. სპეც. სასწავლებლები, რ-ებიც ამზადებენ საშ. სამხ. და სამხ.-სპეც. განათლების მქონე მეთაურებს, ტექ. და სპეც. კადრებს. სასწავლებლები კომპლექტდება ნებაყოფლობით, იმ სამხ მოსამსახურეებითა (ჯარისკაცები, რიგითი მეზღვაურები, სერჟანტები. ზემდეგები) და სამოქალაქო პირებით, რ-თაც აქვთ ზოგადი საშ. განათლება. სამხ. სასწავლებელდამთავრებულთ უფლება ენიჭებათ შეიარაღებულ ძალებში დადგენილი ვადით სამსახურის შემდეგ შევიდნენ უმაღლეს ს. ს. დ-ში.

ს. ს დ-ის კურსდამთავრებულებს ეძლევათ საერთო-საკავშ. ნიმუშის დიპლომები უმაღლესი (ან საშ.) სამხ. ან სამხ.-სპეც. განათლების შესახებ, სამკერდე ნიშანი და ენიჭებათ ოფიცრის წოდება (ვისაც არა აქვს). ს. ს. დ-თვის სამეცნ. და სამეცნ. მედ. კადრების მომზადება ხორციელდება ადიუნქტურის საშუალებით (იხ. სტ. ადიუნქტი).

სამხედრო-საჰაერო ძალები (სსძ), სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სახეობა, რ-იც ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების გადაჭრისას დამოუკიდებელი და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ერთობლივი მოქმედებისთვისაა განკუთვნილი. თანამედროვე სსძ-ს შეუძლია გაანადგუროს მტრის საავიაციო, სარაკეტო, სახმელეთო და საზღვ. დაჯგუფებები, დაანგრიოს მნიშვნელოვანი სამხ. ობიექტები მტრის ზურგში, ხელი შეუწყოს სახმელეთო ჯარებსა და სამხ.-საზღვ. ფლოტს ოპერაციის განხორციელებაში, ჩაატაროს საჰაერო დაზვერვა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ინტერესებისათვის, გადასხას დიდი საჰაერო დესანტები, უზრუნველყოს ჯარების მანევრი და საჰაერო გზით მიაწოდოს მათ მატერ. საშუალებები. სსძ-ის ძირითადი თვისებებია: მაღალი მანევრულობა, მოქმედების დიდი სიერცე, უნარი სწრაფად გადაიტანოს თავისი ზემოქმედება ერთი მიმართულებიდან თუ ობიექტიდან მეორეზე, ღრმად შეაღწიოს მტრის ზურგში, მოულოდნელი დარტყმა მიაყენოს ჰაერიდან დიდ, მცირე, სტაციონარულ თუ მოძრავ ობიექტებს.

სსრკ სსძ შედგება 3 სახის ავიაციისაგან, ესენია: შორეული (სტრატეგიული), ფრონტული და სამხ.-სატრანსპორტო. საზღვ. ავიაცია და საჰაერო თავდაცვის ავიაცია შედის სამხ.-საზღვ. ფლოტისა და საჰაერო თავდაცვის ჯარების შემადგენლობაში. სსძ შეიარაღებულია შორეული (სტრატეგიული) და ფრონტული ბომბდამშენებით, გამანადგურებელბომბდამშენებით (მოიცრაშე თვითმფრინავებით), გამანადგურებლებით, სადაზვერვო თვითმფრინავებით (პილოტირებულითა და არაპილოტირებულით), სამხ.-სატრანსპ. თვითმფრინაეებითა და შვეულმფრენებით.

დიდი კაპიტალ. სახელმწიფოების სსძ შედგება სტრატეგიული, ტაქტიკური, სამხ.-სატრანსპ. და საჰაერო თავდაცვის ავიაციისაგან აშშ-ის სსძ-ში შედის აგრეთვე საკონტინენტთშორისო ბალისტიკური რაკეტების შენაერთები და სამხ.-კოსმ. საშუალებები აშშ-ის. საფრ. და დიდი ბრიტ., სამხ -საზღვ. ფლოტებს თავიანთი ავიაცია ჰყავს უმეტესი ქვეყნების სსძ შედგება ოპერატ. საავიაციო გაერთიანებებისაგან, შენაერთებისა და ნაწილებისაგან: ზურგის, კავშირგაბმ და რადიოტექ. უზრუნველყოფის ნაწილებისაგან.

სსძ-ის შექმნა ისტორიულად დაკავშირებულია საავიაციო ტექ. განვითარებასთან (იხ. *ავიაცია*). საბჭ. სსძ წითელ არმიასთან ერთად ყალიბდებოდა. 1917 წ. 28 ოქტ. (10 ნოემბ.) ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა ავიაციისა და აერონავტიკის კომისართა ბიურო. 1918 იანვ. ჩამოყალიბდა პირველი 6 საავიაციო რაზმი (თითოეულში 12 თვითმფრინავი). 1918 წ. 24 მაისს შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი სამხ -საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო, რ-იც ქვეყნის სსძ-ს აერთიანებდა. 1918—20 სამოქალაქო ომის ფრონტებზე 350-მდე საბჭ. თვითმფრინავი მოქმედებდა. 1918 სსძ-თყის დაარსდა მფრინავთა სკოლები, აგრეთვე პეტროგრ. მფრინავ-დამკვირვებელთა სამხ. სკოლა, 1922 ნოემბერში — საჰაერო ფლოტის აკადემია (ახლანდ. ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია). სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო სსძ-ის სწრაფი განვითარება. 1940-თვის სსრკ-ში სამხ. თვითმფრინავების წარმოება 6,5-ჯერ გაიზარდა 1930-თან შედარებით. 1939—40 საბჭ. ავიაკონსტრუქტორებმა შექმნეს ახ. ტიპის ითანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავები.

1924 ავიარაზმები გაერთიანდნენ ესკადრილიებში (18—43 თვითმფრინავი), რ-ებიც 20-იანი წწ. ბოლოს საავიაციო ბრიგადებმა შეცვალა, 1938—39 კი მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა პოლკები და დივიზიონები. ძირითად ტაქტიკურ ერთეულად იქცა პოლკი, რ-იც 4—5 ესკადრილიისაგან შედგებოდა (60—63 თვითმფრინავი, მძიმე ბომბდამშენთა პოლკში — 40). ძირითადი ტაქტ.-ტექ. მონაცემებით საბჭ. თვითმფრინავები ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა კაპიტალ. ქვეყნების შესაბამისი ტიპის თვითმფრინავებს.

II მსოფლიო ომის დაწყების წინ სსრკ-ში მიიღეს ზომები საუკეთესო ტიპის თვითმფრინავების წარმოების ფორსირებისათვის, რადგან დიდი სამამულო ომის დასაწყისში საბჭ. საავიაციო ნაწილების ახ. საავიაციო ტექნიკით აღჭურვა და საფრენოსნო შემადგენლობის გადამზადება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. მტრის ავიაციის რაოდენობრივ უპირატესობას საბჭ. სსძ-მა დაუპირისპირა საფრენოსნო შემადგენლობის საბრძოლო ოსტატობა და გმირობა. 1942 მაისში ფრონტებზე შეიქმნა საჰაერო არმიები — დიდი საავიაციო ოპერატ. გაერთიანებები (წლის ბოლოსათვის—13). 1942 შემოდგომიდან დაიწყო უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის ცალკეული საავიაციო კორპუსების ჩამოყალიბება. 1942 მარტში შორეული და მძიმე ბომბდამშენი ავიაცია გამოეყო სსძ-ის სარდლობას და უშუალოდ უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკს დაექვემდებარა. სსძ-ის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლამ და რაოდენობრივმა გაზრდამ შესაძლებელი გახადა ავიაციის მართვის ცენტრალიზება და მისი მასირებული გამოყენება სახმელეთო ჯარის გადამწყვეტ მიმართულებებზე

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მეომარი ქვეყნების სსძ-ის განვითარებამ ახ. რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებს მიაღწია. საბჭ საავიაციო მრეწვ. სისტემატურად ზრდიდა თვითმფრინავების წარმოებას. 1941 წ. II ნახევარში საშ. თვიური გამოშვება — 1630 შეადგენდა, 1942 წ. — 2120, 1943 წ — 2907, 1944 წ.— 3355 და 1945 წ. — 2206 თვითმფრინავს. ომის წლებში ყველა მეომარმა ქვეყანამ გამოუშვა 450 ათ. საბრძოლო თვითმფრინავი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი საფრენოსნო-ტექ. მონაცემებიც.

ომისშემდგომ წლებში საბჭ სსძ რეაქტიული თვითმფრინავებით, სატრანსპ. თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით შეიარაღდა. დიდი სამამულო ომის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე დამუშავდა ახ საბრძოლო წესდებები, დებულებები და სახელმძღვანელო მითითებები ავიაციის სახეობათა საბრძოლო გამოყენების შესახებ. თვითმფრინავები აღიჭურვა რადიოელექტრონული სისტემებით; დაიწყო აეროდრომების აღჭურვა თვითმფრინავების „ბრმად" დასაჯდომი სისტემებით. ბირთვული იარაღის მიღებამ განაპირობა სსძ-ის გამოყენების ფორმებისა და წესების ძირეული ცვლილება და სწრაფად გაიზარდა მათი როლი ომში, სტიმული მიეცა ავიაციის ტექ. განვითარებას. გამანადგურებელმა ავიაციამ მიიღო ზებგერითი თვითმფრინავები „მიგ-19", რ-ებიც შეიარაღებულია „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტებით. შორეული ავიაცია აღიჭურვა ახ. მძიმე რეაქტიული და ტურბოხრახნული თვითმფრინავებით. გაიზარდა ტურბორეაქტიულძრავიანი შვეულმფრენების წარმოება. სამხ.-სატრანსპ. თვითმფრინავების რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა ზრდამ გააფართოვა მათი ამოცანები და საბოლოოდ ისინი ავიაციის სახეობად აქცია. „ჰაერი-ჰაერი" და „ჰაერი-მიწა" რაკეტებით აღჭურვილი ზებგერითი თვითმფრინავების გამოშვებამ შორეული და ფრონტული ავიაცია გარდაქმნა ზებგერით, რაკეტამატარებელ ავიაციად და შეცვალა მისი ტაქტიკა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხ.-სატრანსპ. ავიაციის შესაძლებლობები, მას უკვე შეუძლია გადაისროლოს მტრის ზურგში საჰაერო-სადესანტო ჯარების შენაერთები საშტატო საბრძოლო ტექნიკითა და შეიარაღებით (ტანკები, ზარბაზნები, რაკეტები, ავტომობილები).

საბჭ. სსძ-ს დიდი სამამულო ომის წლებში მეთაურობდნენ: ავიაციის გენ.-ლ. პ. ჟიგარევი (1941 აპრ. — 1942 თებ.) და

ავიაციის მთავარი მარშალი ა. ნოვიკოვი (1942 აპრ.-1946 მარტი); ომის შემდგომ წლებში მთავარსარდლები იყვნენ: ავიაციის მთავარი მარშალი კ. ვერშინინი (1946 მარტი — 1949 ოქტ. და 1957 იანვ.—1969 მარტი), ავიაციის მთავარი მარშალი პ. ჟიგარევი (1954 ოქტ. — 1957 იანვ.), ავიაციის მთავარი მარშალი პ. კუტახოვი (1969 მარტიდან).

კაპიტალ. ქვეყნების სსრ ომის შემდგომ პერიოდში რეაქტიული საავიაციო ტექნიკით შეიარაღდნენ, აქვთ სხვადასხვა კლასისა და დანიშნულების მართული და არამართული რაკეტული ჭურვები.

ლიტ.: Военно-воздушные силы, М., 1959; Советские военно-воздушные силы в Великой Отечественной войне 1941—1945, М., 1968.

სამხედრო-ტოპოგრაფიული სამსახური, სპეციალური სამსახური შეიარაღებულ ძალებში. მისი დანიშნულებაა მშვიდობიანობისა და ომის დროს უზრუნველყოს ჯარები ტოპოგეოდეზიური ცნობებით. ს.-ტ. ს. აქვს თანამედროვე არმიების უმეტესობას. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ტოპოგრ. და სპეც. რუკების შექმნა, იმ დოკუმენტების მომზადება, რ-ებიც მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას ადგილმდებარეობაზე, და ამ ცნობების ჯარებისა და შტაბებისათვის მიწოდება, გეოდ. ქსლის განვითარება, ჯარების უზრუნველყოფა გეოდეზიური მონაცემებით, რაც აუცილებელია ორიენტაციის, მიზანვენების განადგურების საშუალებათა საბრძოლო გამოყენების, დაზვერვისა და მართვისათვის. კავშირგაბმ. თანამედროვე პირობებში ს.-ტ. ს-ის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სამხედრო ტრიბუნალი სსრკ-ში, სასამართლო, რ-იც მართლმსაჯულებას ახორციელებს სსრკ შეიარაღებულ ძალებში. შედის სსრკ-ის ერთიან სასამართლო სისტემაში. ს. ტ-ის ორგანიზაცია და საქმიანობის წესი რეგლამენტირებულია 1958 დებულებით ს. ტ-ის შესახებ და 1979 კანონით სსრკ უმაღლესი სასამართლოს შესახებ.

სამხ. სასამართლოების სისტემაში შედის სამხ. შენაერთების, გარნიზონების, ნაწილების ს. ტ-ები — პირველი ინსტანციის სასამართლოები სისხლის სამართ. საქმეებზე. ს. ტ. ზოგიერთი სახეობის შეიარაღებულ ძალებში, ოკრუგში, ფლოტსა და ჯართა ჯგუფში წარმოადგენს საკასაციო ინსტანციას სამხ. შენაერთების, გარნიზონებისა და ნაწილების ს. ტ-ების მიმართ და პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით განიხილავს ზოგიერთ შედარებით მნიშვნელოვან საქმეს. უმაღლესი ინსტანციაა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხ. კოლეგია.

ს. ტ-ის მუდმივ წევრებს ირჩევს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 5 წლის ვადით. მუდმივ წევრებად შეიძლება აირჩიონ სსრკ მოქალაქენი, რ-ებიც იმყოფებიან ნამდვილ სამხ. სამსახურში და არჩევნების დღისთვის შეუსრულდათ 25 წელი. ს. ტ-ის სახ. მსაჯულებს ირჩევენ $2\ ^1/_2$ წლით სამხ. ნაწილებში სამხ. მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

ს. ტ-ები მოწოდებული არიან აწარმოონ ბრძოლა სსრკ-ის და მისი შეიარაღებული ძალების უშიშროების, სამხ. დისციპლინისა და სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამხ. სამსახურის გაელისათვის დადგენილი წესის ხელყოფასთან.

ს. ტ-ს ექვემდებარება საქმე ყველა იმ დანაშაულის შესახებ, რ-იც ჩაიდინა სამხ. მოსამსახურემ ან სამართ. მდგომარეობით მასთან გათანაბრებულმა პირმა, აგრეთვე ყველა საქმე *ჯაშუშობაზე*, ვინც არ უნდა ჩაიდინოს იგი.

ს. ტ-ები იყენებენ იმ მოკავშირე რესპ. სისხლის სამართ. კოდექსს, სადაც ჩადენილია დანაშაული, იმ რესპ. სისხლის სამართ. საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად, რ-ის ტერიტორიაზეც განხილება საქმე. *რ. ცინცაძე.*

სამხედრო ტყვეები, მებრძოლ მხარეთა შეიარაღებული ძალების რეგულარულ ან არარეგულარულ შემადგენლობაში მყოფი ის პირები (მ.შ. მოლაშქრეები, პარტიზანები, ნებაყოფლობითი რაზმები, წინააღმდეგობისა და ეროვნ.-გამათ. მოძრაობის მებრძოლები), რ-ებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნენ. ს. ტ-ის რეჟიმი რეგულირებულია ჟენევის 1949 კონვენციებიდან — ომის მსხვერპლთა დაცვის თაობაზე — ერთ-ერთი კონვენციით, რ-იც ს. ტ-ისადმი მოპყრობას ეხება; ამ კონვენციისადმი 1977 დამატებული 2 ოქმით; სახმელეთო ომის კანონებითა და ჩვეულებებით და 1907 ჰააგის მე-4 კონვენციის დანართით.

ს. ტ-ის რეჟიმი ვრცელდება როგორც *კომბატანტებზე* (მებრძოლებზე), ისე შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ არაკომბატანტებზე — სამხ. კორესპონდენტებზე, მიმწოდებლებზე და სხვ. მაგრამ იგი არ ვრცელდება დაქირავებულ ჯარისკაცებზე. თანამედროვე საერთაშ. სამართ. ნორმების მიხედვით, ს. ტ-ს ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ, აკრძალულია მათი დისკრიმინაცია რასის, ეროვნების, რწმენის ან პოლიტ. შეხედულებების მიხედვით, აგრეთვე ს. ტ-ის წამება, ადამიანური ღირსების შელახვა და სხვ.; ს. ტ. უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ უფასო რჩენითა და სამედ. მომსახურებით. შრომისუნარიანი ს. ტ., ოფიცრების გამოკლებით, შეიძლება გაუშვან ისეთ სამუშაოზე, რ-საც ურთიერთობა არ ექნება საბრძოლო მოქმედებასთან, არ იქნება საზიანო მათი ჯანმრთელობისათვის, გარდა ამისა, ანაზღაურება უნდა იყოს სამართლიანი. ს. ტ-ს აქვთ მიმოწერის, ამანათის მიღებისა და გაგზავნის უფლება. ს. ტ. ვალდებული არიან დაექვემდებარონ იმ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების კანონებს, წესდებებსა და ბრძანებულებებს, ვის ტყვეობაშიც ისინი იმყოფებიან. ამ ნორმების დარღვევისათვის ს. ტ. პასუხს აგებენ. ყოველგვარი ისეთი აქტი, რ-მაც შეიძლება გამოიწვიოს ს. ტ-ის დაღუპვა ან საფრთხეში ჩაყენოს მათი ჯანმრთელობა, საერთაშ. სამართ. დარღვევად ჩაითვლება. სსრკ კანონში სამხ. დანაშაულის გამო სისხლის სამართ. პასუხისმგებლობის შესახებ (1958) ს. ტ-ის უფლებათა დარღვევისათვის გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი.

ლიტ.: Женевская конвенция об обращении с военнопленными от 12 авг. 1949 г., წგნ.: Женевские конвенции о защите жертв войны, М., 1954. *რ. დეკანოზოვი.*

სამხედრო ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის დარგი, შეისწავლის ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რ-ებიც აღმოცენდებიან სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებისა და ომის წარმოების პროცესებში. როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში არმიების პირადი შემადგენლობის მასობრივ შესწავლასთან დაკავშირებით მათი შერჩევის, სწავლებისა და განაწილების მიზნით.

მეორე მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ მკვეთრად გაიზარდა გამოკვლევების რიცხვი ს. ფ-ში (განსაკუთრებით აშშ). ს. ფ-ის ძირითადი პრობლემებია: გრძნობათა ორგანოების მუშაობის შესწავლა სპეციფ. პირობებში (მაგ. თვითმფრინავში, წყალქვეშა ნავში, ღამით და ა. შ.); აღქმის ეფექტურობის ამაღლების გზების ძიება; საბრძოლო მომზადების ფსიქოლ. საფუძვლების დამუშავება; საბრძოლო ტექნიკის მართვისათვის გამიზნული მოქმედებისა და სივრცეში ორიენტირების ანალიზი; პირადი შემადგენლობის შერჩევის ფსიქოლ. კრიტერიუმების დადგენა; ყველა რანგის სამხ. ხელმძღვანელობის აზროვნების თავისებურებათა შესწავლა; ურთიერთობათა შესწავლა უფროსებსა და ხელქვეითებს შორის, აგრეთვე მცირე ჯგუფებში (მაგ., ტანკის, თვითმფრინავის, წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის); „ფსიქოლოგიური ომის" პირობებში პროპაგანდისა და კონტრპროპაგანდის მეთოდების დამუშავება და სხვ.

ლიტ.: Военная психология, М., 1967; Основы военной педагогики и психологии, М., 1964; Психология воинского коллектива, М., 1967; Современная буржуазная военная психология, М., 1964

სამხედრო წესდებები, ოფიციალური სახელმძღვანელო გამოცემები, რ-ებიც განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობისა და ჯარის გვარეობის შენაერთების, ნაწილებისა და ქვეგანყოფების მიზნებს, ამოცანებს, საშუალებებსა და პრინციპებს საბრძოლო მოქმედების დროს, სამხ. მოსამსახურეთა ცხოვრებას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, აგრეთვე ჯარის ცხოვრებისა და ყოფის საერთო წესს. ს. წ. რუსეთში პირველად XVII—XVIII სს-ში გაჩნდა. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში გამოცემულია: 1918 — შინაგანი სამსახურის წესდება, საგარნიზონო სამსახურის წესდება, ზურგის წესდება, 1919 — დისციპლინარული წესდება. ამჟამად სსრკ შეიარაღებული ძალების სამხ. მოსამსახურეებისათვის საერთო ს. წ-ია: შინაგანი სამსახურის წესდება, დისციპლინარული წესდება, საგარნიზონო და საყარაულო სამსახურის წესდება, აგრეთვე სამწყობრო წესდება.

სამხედრო ხელოვნება, ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში სამხედრო მოქმედებათა მომზადებისა და გაძღოლის თეორია და პრაქტიკა. ს. ხ. სამხ. მეცნიერების ნაწილია. იგი შეიცავს სტრატეგიას, ოპერატ. ხელოვნებასა და ტაქტიკას. ს. ხ-ის განვითარება დამოკიდებულია წარმოებისა და ეკონ. დონეზე, საზ. წყობის ხასიათზე. ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ომის წარმართვის ხერხები „დამოკიდებულია მატერიალურ, ე. ი. ეკონომიკურ პირობებზე: ადამიანებსა და იარაღზე, მაშასადამე, მოსახლეობის თვისებებსა და რაოდენობაზე, ტექნიკაზე" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოცემა, გვ. 175). ს. ხ-ის განვითარებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ქვეყნის განვითარების ისტ. თავისებურებანი, გეოგრ. პირობები, ეროვნ. ტრადიციები და სხვა ფაქტორები. მონათმფლობელურ საზ-ბაში ჯარების ძირითადი გვარეობა ქვეითი ჯარი იყო. ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთი, ჩინეთი) საგრძნობლად განვითარდა კავალერია. ამ ქვეყნების სტრატეგიული მოქმედება დასაწყისში ხანმოკლე ლაშქრობებით განისაზღვრებოდა. მომარაგების საქმის გაუმჯობესებამ აამაღლა ჯარების შესაძლებლობანი და ლაშქრობათა ხანგრძლივობაც გაზარდა (განსაკუთრებით ძვ. საბერძნეთსა და ძვ. რომში). სტრატეგიული ხელოვნება უკვე მოიცავდა ომისათვის მომზადებას, ბრძოლის ადგილისა და დროის არჩევას, დარტყმის მთავარი პუნქტის განსაზღვრას, ჯარის ხელმძღვანელობას. ტაქტიკურად უფრო რთული გახდა საბრძოლო წყობა და მისი მანევრირება ბრძოლის ველზე. ლევქტრასთან, ბრძოლაში (ძვ. წ. 371) ბეოტიელმა სარდალმა ეპამინონდამ გადამწყვეტი დარტყმის განსახორციელებლად პირველმა გამოიყენა ჯარების არათანაბარი განლაგების უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური პრინციპი. ს. ხ-მ მაღალ განვითარებას მიაღწია ალექსანდრე მაკედონელის არმიაში; მტრის განადგურების მთავარ დარტყმელ საშუალებად მან ცხენოსანი ჯარი აქცია. კოლხებთან ბრძოლაში (ძვ. წ. 400) ბერძენმა სარდალმა ქსენოფონტმა საწყისი მისცა ფალანგის ცალკე ნაწილებად (ლოქებად) დაყოფას. კართაგენელმა მხედართმთავარმა ჰანიბალმა კანესთან ბრძოლაში (ძვ. წ. 216) მტრის ორივე

ფლანგზე ერთდროული დარტყმით მცირე ძალებით გარემოცება და გაანადგურა რომის დიდი არმია. იულიუს კეისარმა პირველმა შექმნა და გამოიყენა რეზერვი. იმ პერიოდის ს. ხ-ის ყველაზე სრული განზოგადება მოცემულია ვეგეციუსის შრომაში „სამხედრო საქმის შესახებ" (V ს. დასაწყ.). ძვ. რუსეთის (კიევის) სახელმწიფოში (IX—XI სს.) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეით ლაშქარს. ს. ხ-ზე უდიდესი გავლენა მოახდინა ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამ, რის შედეგადაც XVI ს-ში წარმოიქმნა და განვითარდა ხაზოვანი ტაქტიკა. რუს. ს. ხ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პეტრე I-ის თხზულებებმა „ბრძოლის განაწესი", „ბრძოლის წესები" და სხვ. პ. *რუმიანცევის* შრომებში გაშუქებულია პოლიტიკისა და სტრატეგიის დამოკიდებულების საფუძვლები. ა. *სუვოროვის* შრომებმა „პოლკის განაწესი" (1765), „გამარჯვების მეცნიერება" (1796) საფუძველი ჩაუყარეს საომარი მეცნიერების ახ. სისტემას. ს. ხ-მ ღრმა ცვლილებები განიცადა საფრ. დიდი რევოლუციისა და ეროვნ.-განმათ. ბრძოლების მსვლელობისას (XVIII ს. ბოლო — XIX ს. დასაწყ.), როდესაც არმიის მთავარ ამოცანად იქცა მტრის განადგურება გენ. ბრძოლაში, გააქტიურდა სტრატეგიული თავდაცვა.

ს. ხ-ის სრულყოფაში დიდი როლი ითამაშეს მ. *კუტუზოვმა* (ერთი გენ. კვეთების ნაცვლად რიგი თანამიმდევრული ბრძოლების სისტემის განხორციელება) და *ნაპოლეონ I-მა* (არტილ. და ცხენოსანი ჯარის მასირებული გამოყენება, ბრძოლის მსვლელობაში რეზერვების ოსტატური ჩაბმა). ს. ხ-ში ღრმა ცვლილებები გამოიწვია რკინიგზების გაყვანამ, ელექტროტელეგრაფის, უკუამლო დენთის, დაკუთხული არტილ. და სასროლი იარაღის შემოღებამ. ბ უ რ ჟ. ს. ხ-ის საკითხები განზოგადებულია ნაპოლეონ I-ის, კ. *კლაუზევიცის*, ფ. გოლომბის, ა. ჟომინის (XIX ს. I ნახ.), ჰ. მოლტკეს (უფროსის), მ. დრაგომიროვის, გ. ლეერის, ნ. მიხნევიჩისა (XIX ს. II ნახ.) და სხვ. შრომებში.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს მატერიალისტური მოძღვრება ომისა და არმიის შესახებ, მეცნიერულად დაასაბუთეს ომების წარმოშობის მიზეზები და მათი არსი. ფ. ენგელსმა გააშუქა ომის წარმოების ხერხების კავშირი ეკონ. და წარმოების ზრდასთან, არმიის კლასობრივი ხასიათი, მისი ბრძოლისუნარიანობის უზრუნველყოფის პირობები, ს. ხ-ის განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი. XIX — XX სს. მიღწევაზე მკვეთრად გაიზარდა სწრაფსასროლი იარაღის წარმოება, განვითარდა კავშირის საშუალებები, გადიდდა ჯარების მანევრისუნარიანობა, განმტკიცდა ცალკეული ბრძოლებისა და კვეთების ურთიერთკავშირი და წარმოიქმნა მთელი არმიების მოქმედებათა ერთ ოპერაციაში მოქცევის პირობები.

პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოიშვა მსხვილი ოპერატიული გაერთიანებებით ფართო ფრონტსა და სიღრმეზე მეტეორითი საომარი მოქმედების ახ. ფორმა — ოპერაცია. ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო. წამოიჭრა ფრონტის გარღვევის პრობლემა, რ-იც იმხანად ბოლომდე ვერ გადაწყდა. იმავე პერიოდში შეიქმნა მსხვილი ოპერატ. გაერთიანება — ფრონტი და საფრონტო ოპერაცია. ტაქტიკაში გაჩნდა ახ. საბრძოლო წყობა „მწკრივთა ტალღები" და ჯგუფური საბრძოლო წყობა. ომის დასასრულ ბრძოლებს საერთოჯარისო ხასიათი მიეცა (ქვეითი, ცხენოსანი, სატანკო, საინჟინრო ნაწილების ერთობლივი მოქმედება).

საბჭ. ს. ხ-ის თეორ. საფუძველია დიალექტ. და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ომისა და არმიის შესახებ; საბჭ. ს. ხ-ის მეთოდოლ. საფუძვლები შეიმუშავეს კომპარტიამ და მისმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა, რ-მაც მიუთითა იმპერიალიზმის ეპოქის ომების თავისებურებებზე, განავითარა შეიარაღებული აჯანყების მარქსისტული თეორია, შეიმუშავა რევოლუციური ომებისა და სოციალ. სამშობლოს დაცვისათვის წარმოებული ომების გაძლოლის ხერხები. საბჭ. ს. ხ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: მ. *ფრუნზემ*, ა. *ეგოროვმა*, ს. *კამენევმა*, მ. *ტუხაჩევსკიმ*, ბ. *შაპოშნიკოვმა* და სხვ. საბჭ. შეიარაღებული ძალები ძირეულად გარდაიქმნა ომისწინა ხუთწლედების (1929—41) პერიოდში. საბჭ. ს. ხ. სრულყოფილი ხდებოდა აღმ. ჩინ. რკინიგზაზე (1929), ხასანის ტბაზე (1938), მდ. ხალხინ-გოლზე (1939), საბჭ. კავშირ-ფინ. ომში (1939—40) სამხ. შეტაკებებისა და დიდი მანევრების შედეგად მიღებული გამოცდილების ნიადაგზე. სტრატეგიული მოქმედების ძირითად საზედ მიჩნეულ იქნა სტრატეგიული შეტევა. თავდაცვითი ბრძოლა განიხილებოდა მოქმედების იძულებით ფორმად. 20-იან წლებში ს. ხ-ის დამოუკიდებელ დარგად გამოიყო ოპერატ. ხელოვნება, შემუშავდა ღრმა ოპერაციის თეორია, მაგრამ საბჭ. ს. ხ. ჯეროვნად არ ითვალისწინებდა მტრის მოულოდნელი თავდასხმისა და სტრატეგიული მასშტაბით თავდაცვის წარმოების შესაძლებლობას. საბჭ. ს. ხ-ის უმნიშვნელოვანესი ეტაპი დიდი სამამულო ომი (1941—45) იყო. ომის პირველ ეტაპზე წარმატებით გადაიჭრა მძიმე პირობებში სტრატეგიული თავდაცვის წარმოების ამოცანა, დაიხვეწა სტრატეგიული შეტევის მომზადებისა და განხორციელების თეორია და პრაქტიკა (1941—42 მოსკ. ბრძოლა). საომარი პირობებისათვის ეკონ. გარდაქმნის შედეგად საბჭ. ჯარები აღიჭურვა ახ. სრულყოფილი იარაღით, შეიქმნა სატანკო და საჰაერო არმიები, შეივსო ფლოტები და ფლოტილიები. ომის მეორე პერიოდში (1942 ნოემბ.-1943 დეკემბ.) წარმატებით წყდებოდა შეტევის მომზადებისა და ჩატარების ამოცანები. ს. ხ-ის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სტალინგრადისა (1942 — 43) და კურსკის (1944) ძლევამოსილ ბრძოლებს. ომის მესამე პერიოდში (1944—45) ს. ხ-ის ძირითადი ყურადღება მიქცეული იყო ფრონტების ჯგუფების, ფრონტებისა და არმიების შეტევითი ოპერაციების მომზადებისა და გაძლოლის ხერხების სრულყოფაზე. საბჭ. ს. ხ. გამდიდრდა ოპერაციების ფარულად მომზადების, მოულოდნელი დარტყმების განხორციელების, მტრის დაჯგუფებათა გარემოცებისა და განადგურების გამოცდილებით. წარმატებით გადაიჭრა მტრის თავდაცვის დიდ სიღრმეზე (500 *კმ* და მეტი) და სწრაფი ტემპით გარღვევის, სტრატეგიული რეზერვების შექმნისა და გამოყენების პრობლემები. სრულყოფილი გახდა ოპერატ. ხელოვნება და ტაქტიკა, შეიქმნა და დამკვიდრდა საარტ. შეტევის თეორია და პრაქტიკა, შემხვედრი ბრძოლებისა და მტრის დევნის ახ. დებულებები, განვითარების ახ. საფეხურზე ავიდა შეიარაღებული ძალების სახეობათა ოპერატ. ხელოვნება.

საბჭ. ქვეყანასთან ჭიდილის პროცესში გაცამტვერდა ფაშისტური გერმ. სტრატეგიული კონცეფცია „ელვისებური ომის" შესახებ და ფაშისტური არმიის უძლეველობის მითი. მეორე მსოფლიო ომში (1939—45) მნიშვნელოვნად განვითარდა აშშ-ისა და დიდი ბრიტ. ს. ხ.

რაკეტულ-ბირთვული იარაღის გამოჩენამ ს. ხ-ის განვითარებაში ძირეული ცვლილებები შეიტანა. საბჭ. ს. ხ. ვითარდება ახ. ვითარებაში შეიარაღებული ძალების გამოყენების ხერხებისა და ფორმების ძიების გზით და ითვალისწინებს სსრკ შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებასა და მზადყოფნას იმპერიალიზმის ყოველგვარი აგრესიული მოქმედების უკუსაგდებად.

სამხმოვანება, აკორდი, რ-ის ბგერები განლაგებულია ან შეიძლება განლაგებული იყოს ტერციებად. ტერმინი აერთიანებს განსხვავებული კონსტრუქციისა და გამომსახველობითი თავისებურების 4 აკორდს. სუფთა კვინტის დაყოფა 2 არათანაბარ ტერციად გვაძლევს ს-ის 2 ძირითად სახეს: მაჟორულ კონსონირებულ (დიდი ტერცია+მცირე ტერცია) და მინორულ (მცირე ტერცია+დიდი ტერცია) ს-ს. მაჟორული ს. ემთხვევა ბუნებრივი ბგერათრიგის ქვედა ტონების თანამიმდევრობას (1—6 ბგერა) და აქვს ნათელი, მხიარული ხასიათის ჟღერა. მინორული ს. ეწინააღმდეგება „ბუნებრივ" წყობას და ჩამქრალი, სევდიანი ჟღერა აქვს. კონსონირებული ს. წარმოადგენდა მაჟორულ-მინორული ტონალური სისტემის აკორდიკის საფუძველს (XVII—XIX სს.). მაჟორული და მინორული ს. წარმოადგენს ევრ. მუსიკის **2** ძირითად კილოს — მაჟორულისა და მინორულის საფუძველს. არსებობს აგრეთვე გადიდებული (2 დიდი ტერციისაგან შემდგარი) და შემცირებული (2 პატარა ტერციისაგან შემდგარი) ს-ები.

სამხრე (სამხ.), განმასხვავებელი სამხრე ნიშნები სამხედრო მოსამსახურის ფორმის ტანისამოსზე. ს. ყველა თანამედროვე არმიაშია. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში ს. შემოღებულია 1943 წ. 6 იანვ. წითელი არმიის პირადი შემადგენლობისათვის, ხოლო 15 თებ. — სამხ.-საზღვ. ფლოტის პირადი შემადგენლობისათვის.

სამხრეთ ავსტრალიის ქვაბული, წყალქვეშა ქვაბული ინდოეთის ოკეანის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ავსტრალ. კონტინენტური კალთის ძირას. სიგრძე დაახლ. 2400 *კმ*, სიგანე დაახლ. 800 *კმ*. აღმ. ნაწილი ბრტყელი აბისალური ვაკეა, ჩრდ.-დას. დანაწევრებულია ღრმა ღარებითა და ქედებით. მაქს. სიღრმე 6019 *მ*. ფსკერი დაფარულია წითელი თიხით, ალაგ-ალაგ რკინა-მანგანუმის კონკრეციებია, ჩრდ. და აღმ. კიდეების გასწვრივ — ფორამინიფერებიანი ლამი.

სამხრეთ ალიჩურის ქედი, ქედი პამირის სამხრ. ნაწილში, ტაჯ. სსრ-ში. სიგრძე დაახლ. 150 *კმ*, სიმაღლე 5706 *მ*-მდე (მთა ყიზილდაღი). უმთავრესად აგებულია გრანიტებით, გნაისებითა და კრისტ. ფიქლებით. კალთებზე მაღალმთის უდაბნოებია, თხემზე — მყინვარები და ფირნის ველები (ფართ. დაახლ. 68 *კმ*²).

სამხრეთ ანტილის ქედი, წყალქვეშა ქედი ატლანტის ოკეანის სამხრ. ნაწილში; ვარაუდობენ, რომ სამხრ. ამერიკის ანდების სისტემის წყალქვეშა გაგრძელებაა. გადაჭიმულია 3500 *კმ*-ზე ცეცხლოვანი მიწიდან ანტარქტიდამდე. სიღრმე თხემზე 3000 *მ*-მდეა. ქედის ცალკეული მონაკვეთები ქმნიან სამხრ. გეორგიის, სამხრ. სენდვიჩის, სამხრ. შეტლენდისა და სამხრ. ორკნეის კ-ებს.

სამხრეთატლანტიკური ქედი, შუაატლანტიკური ქედის ნაწილი ატლანტის ოკეანეში, ჩაინის რღვევის ხაზის სამხრით (ეკვატორთან ახლოს). გადაჭიმულია მერიდიანულად 10,5 ათ. *კმ*-ზე. კ. ბუვეს რ-ნში (დაახლ. ს. გ. 55°) უხვევს და მიემართება განედურად. ქედის ამ ნაწილს ეწოდება აფრიკა-ანტარქტიკის ქედი. ს. *მ*. ძალზე დანაწევრებულია. სიღრმე თხემზე 1800-იდან 3400 *მ*-მდე. კალთებზე წყალქვეშა ვულკანებია. ზოგიერთი მწვერვალი ქმნის ვულკ. კუნძულს (ამაღლების, წმ. ელენეს, ტრისტან-და-კუნია, გოფი, ბუვე).

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სარ (Republiek van Suid-Afrika, Republic of South Africa).



სამხრეთ აფრიკის რესუბლიკის სახელმწიფო გერბი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 64
II. სახელმწიფო წესწყობილება 64
III. ბუნება 64
IV. მოსახლეობა 64
V. ისტორიული ნარკვევი 64
VI. პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები 66
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი 66
VIII. შეიარაღებული ძალები 66
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 66
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი 66
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია 66
XII. ლიტერატურა 66
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 66
XIV. მუსიკა 67
XV. თეატრი 67
XVI. კინო 67

I. ზოგადი ცნობები

სარ — სახელმწიფო აფრიკის უკიდურეს სამხრ. ნაწილში. ჩრდ-ით ესაზღვრება ბოტსვანა და ზიმბაბვე, ჩრდ.-აღმ-ით — მოზამბიკი და სვაზილენდი, ჩრდ.-დას-ით ნამიბია დას-ით აკრავს ატლანტის ოკეანე, აღმ-ით და სამხრ-ით—ინდ. ოკეანე. სარ-ის ფარგლებში მდებარეობს დამოუკიდებელი სახელმწიფო *ლესოთო*. ფართ. 1221 ათ. კმ² მოსახლ. დაახლ. 36 მლნ. კაცი (1983) დედაქალაქი — პრეტორია (714 ათ. მცხ., 1981) პარლამენტის ადგილსამყოფელია ქ. კეიპტაუნი ოფიც. ენები — აფრიკაანსი და ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 31 მაისი — რესპ. გამოცხადების დღე (1961). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია სამხრ. აფრ რენდი. 0,92 რენდი=1 აშშ-ის დოლარს (1982) ადმინისტრაციულად სარ იყოფა 4 პროვინციად.

II. სახელმწიფო წესწყობილება

სარ-ში მოქმედებს 1961 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, რ-ის შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი და კრების პალატა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. პარლამენტის არჩევნებში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ევროპული წარმოშობის მოქალაქეები სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-იც ერთდროულად სარ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიცაა მას 7 წლით ირჩევს ამრჩევი კოლეგია პარლამენტის წევრთაგან აღმასრ ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და მთავრობას

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

რელიეფის დამახასიათებელი ელემენტია დიდი ბექი, რ-იც სამხრ. აფრ. მაღალ პლატოებს გამოყოფს ვიწრო სანაპირო დაბლობისა და დიდი *კარუს* ღრმულისაგან. კარუს ღრმულის სამხრ-ით *კაპის მთეებია*. დიდი ბექის ყველაზე ამაღლებული ნაწილია *დრაკონის მთები* (მთა კეთკინპიკი, 3660 *მ*, სარ-ის უმაღლესი წერტილი). ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილი უჭირავს *ველდის* პლატოებს, სამხრ.—ზედა კარუს პლატოს, დასავლეთი — მცირე ნამაკვალენდის ზეგანს. მდ. ორანჟის ჩრდ-ით, 900—1000 *მ* სიმაღლეზე *კალაჰარის* ვაკეებია.

სარ მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მოიპოვება ურანის, მანგანუმის, ტყვიის, თუთიის, ოქროს, პლატინის, რკინის მადანი, ქრომიტები, ალმასი, ქვანახშირი და სხვ.

ჰავა უმთავრესად ტროპიკულია, ს. გ. 30°-ის სამხრ-ით — სუბტროპიკული. სანაპირო დაბლობებზე და დიდი ბექის ქარპირა კალთებზე ნალექები 1000—2000 *მმ*-მდეა წელიწადში, შიგა რ-ნებსა და სამხრ.-დას-ში — 150 *მმ*-მდე. ზეგანზე ზაფხულის თვეების საშ. ტემპ-რები 18-იდან 27°C-მდეა, ზამთრისა 7-იდან 10°C-მდე, სუბტროპიკებში, შესაბამისად, დაახლ. 21°C და 13°C-ზე ნაკლები, ნალექები 700 *მმ*-მდე წელიწადში. ატლანტის ოკ. სანაპიროზე უდაბნოს ჰავაა. ზამთრის თვეების საშ. ტემპ-რები 11-იდან 15°C-მდეა, ზაფხულისა 18—24°C, ნალექები 100 *მმ*-მდე წელიწადში.

მდ-ების უმეტესობა ინდ. ოკ აუზს განეკუთვნება. მათგან უდიდესია ლიმპოპო, ტუგელა, გრეიტ-ფიში. ატლანტის ოკ. აუზს განეკუთვნება ქვეყნის უდიდესი მდ. ორანჟი. კალაჰარის ვაკეებზე მიედინება ეპიზოდური მდ-ები კურუმანი, მოლოპო და სხვ.

სარ-ის აღმ. სანაპიროზე, ს. გ. 30°-მდე, წითელ და წითელ-მურა ნიადაგებზე განვითარებულია ტიპური სავანა, მდ-ების გაყოლებით ჭალის ტყეებია; 30°-ის სამხრით, სანაპიროზე, სუბტროპ. ტყე და ხეშეფოთლიანი მარადმწვანე ბუჩქნარია, მთის კალთებზე შემორჩენილია სუბტროპ. მუსონური ტყე. კალაჰარის ვაკეებზე გაუდაბნოებული სავანაა, მდ. ორანჟის სამხრ-ით ბუჩქიანი ნახევარუდაბნო და უდაბნოა.

ცხოველთა სამყარო განეკუთვნება ეთიოპ. ზოოგეოგრ. ოლქის კაპის ქვეოლქს. ძუძუმწოვრებიდან დამახასიათებელია და ნაწილობრივ ენდემურია ოქროსფერი თხუნელა, გრძელფეხა, მილკბილა, ხტუნია. კვაგა, ზურა აფთარი. მდიდარია ფრინველთა სამყარო. კერებად არის გავრცელებული ბუზი ცეცე და მალარიის კოღო. შექმნილია რამდენიმე ეროვნ. პარკი და ნაკრძალი.

IV. მოსახლეობა







მოსახლ. 70%-ზე მეტს (30,4 მლნ. კაცი, 1980; შეფასება) შეადგენენ *ბანტუ* ენათა ოჯახის ხალხები: კოსა, ზულუ, ბასუტო, ბეჩუანები, პედი, სვაზი და სხვ. ცხოვრობენ აგრეთვე ბუშმენები და ჰოტენტოტები, მეტისები. თეთრკანიან მოსახლ. შორის ჭარბობენ აფრიკანერები და ინგლისელები; არიან ინდოელებიც. აფრიკელთა 50%-ზე მეტი ტრად. რწმენების მიმდევარია, დანარჩენი — ქრისტიანი (პროტესტანტები, მეთოდისტები, კათოლიკეები, სხვადასხვა სექტის მიმდევრები და სხვ.).

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 28% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და თევზჭერაში, 27% — მრეწველობასა და მშენებლობაში, 20% — მომსახურების სფეროში, დანარჩენი — სხვა დარგებში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროეა 29 კაცი 1 კმ²-ზე (1983). მოსახლ დაახლ. ნახევარი ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია იოჰანესბურგი (1,4 მლნ. მცხ., 1980) და კეიპტაუნი (1,1 მლნ. მცხ., 1980). დიდი ქ-ებია დურბანი, პრეტორია, პორტ-ელიზაბეთი, ბლუმფონტეინი, ისტ-ლონდონი. ქ-ებში თეთრკანიანები ტერიტორიულად ცალკე ცხოვრობენ, დანარჩენებისათვის შექმნილია განსაკუთრებული გეტოები.

V. ისტორიული ნარკვევი

სარ-ის ტერიტ. უძველესი მცხოვრებნი იყვნენ *ჰოტენტოტები* და *ბუშმენები*. ევროპელთა მოსვლამდე აქ დასახლდნენ *ბანტუ* ტომები. მათ უფრო მაღალი კულტურა ჰქონდათ, იცოდნენ მიწის დამუშავება. XVII ს-ში ჰოლანდიელებმა აქ დააარსეს კაპის კოლონია. ბუშმენებისა და ჰოტენტოტების უმრავლესობა გაჟლიტეს, დანარჩენები უდაბნოებში შერეკეს და დაიმონეს, მათ მიწებს და ჯოგებს კი თავად დაეპატრონენ. XVIII—XIX სს. მიჯნაზე კაპის კოლონიას დაეუფლა დიდი ბრიტანეთი, რ-იც ვენის კონგრესის (1814—15) შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა იქ; ე. წ. „ქაფრების ომებით" ინგლისელებმა დაიმორჩილეს მეზობელი ტომების მიწა-წყალი. ჰოლანდიელთა შთამომავლებს — ბურებსა და ინგლისელებს შორის წინააღმდეგობამ, აგრეთვე 1834 მონობის გაუქმებამ ბური ფერმერების დიდი ნაწილი აიძულა ახ. მიწების დასაპყრობად ჩრდ-ით დაძრულიყო („დიდი ტრეკი"). ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მათ მიიტაცეს კოსა, ზულუ და სხვა ბანტუ ხალხების ვრცელი მიწები, სადაც დააარსეს ტრანსვაალის რესპ. და ორანჟის თავისუფალი სახელმწიფო. ბურებისა და ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ბასუტო ტომებმა მძლავრი სახელმწიფოც კი შექმნეს— ბასუტოლენდი. ბურების ტერიტორიაზე ოქროსა და ალმასის მდიდარი საბადოების აღმოჩენამ და კაპიტალ. ურთიერთობის განვითარებამ ევრ. კაპიტალისტებს (უპირატესად ინგლისელებს) ბურების სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებისაკენ უბიძგა. ამას მოჰყვა სამთამადნო მონოპ კომპანიების შექმნა *ინგლისელებისა* და *ბურებს იმის* (1899—1902) შედეგად ინგლისელებმ. მიიტაცეს ბურების რესუბლიკების ტერიტორიები ამან ინგლ. კაპიტალს შესაძლებლობა მისცა ხელთ ეგდო ტრანსვაალის და ორანჟის ძვირფასი წიაღისეული და ფართო მასშტაბით გაეჩაღებინა მისი ექსპლუატაცია 1910 შეიქმნა ბრიტანეთის დომინიონი — სამხრ. აფრ კავშირი (საკ), რ-ის მმართველობაში ინგლისელებთან ერთად ბურების ზედაფენაც მონაწილეობდა.

საკ-ის მდიდარი ბუნებრივი რესურსების მზარდმა ექსპლუატაციამ და ძვირფასი ნედლეულის ინტენს გაზიდვამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონ. განვითარებას. რკინიგზების გაყვანას და დიდ ქ-ების მშენებლობას. 1912 ადგილ. მკვიდრთა რასობრივი ჩაგვრისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ხალხმრავლობით „ადგილიბრივ მკვიდრთა კონგრესების" ბაზაზე შეიქმნა სამხრ. აფრ. ადგილ. ეროვნ. კონგრესი რ-იც მოქმედებდა საკ-ის მთელ ტერიტორიაზე (1925-იდან ეწოდება აფრ. ეროვნ კონგრესი, აეკ). აეკ გახდა საპარის სამხრ-ით მცხოვრები აფრ. მოსახლ. მსხვილი პოლიტ. ორგანიზაცია. მან ხელი შეუწყო მსგავსი ორგანიზაციების შექმნას სხვა ქვეყნებშიც. I მსოფლიო ომის (1914 — 18) წლებში საკ ინგლ. მხარეზე მონაწილეობდა ომში. ომის შემდეგ მან ერთა ლიგის მანდატი მიიღო ყოფილ გერმ. სამხრ.-დას. აფრიკაზე. ოქტ. რევოლუციამ სტიმული მისცა საკ-ში მუშათა და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აღმავლობას. 1921 სოციალ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობაზე შეიქმნა სამხრ. აფრ. კომპარტიის—პირველი მრავალრასობრივი პროლეტ. პარტია აფრ. კონტინენტზე. 20-იანი წწ. დასასრ. პარტიაში უმრავლესობას აფრიკელები შეადგენდნენ. 1924 ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ნაციონალისტური პარტია, რ-მაც გააძლიერა ფერადკანიანთა დისკრიმინაცია 1924—26 კანონებით მრეწველობაში შექმნეს „ფერადი ზღუდე". აფრიკელები ოფიციალურად ჩამოაშორეს კვალიფიციურ შრომას. 1929—33 მსოფლიო ეკონ. კრიზისმა მკვეთრად გაუარესა აფრიკელთა მდგომარეობა, გააძწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი და ბიძგი მისცა მშრომელთა რევ. ჯამოსვლებს. 1939—48 ხელისუფლების სათავეში იყო პროინგლ. დაჯგუფება, რ-მაც ომი გამოუცხადა გერმანიას და იაპონიას. ომმა კიდევ უფრო დააჩქარა საკ-ის ბრეწვა. განვითარება, გაიზარდა მუშათა კლასის რაოდენობა და უფრო მასობრივი გახდა რევ.-დემოკრ. მოძრაობა. 1948—60 ხელისუფლების სათავეში იდგა ნაციონალისტური პარტია, რ-იც კიდევ უფრო აძლიერებდა მშრომელთა ჩაგვრას და ადგილ. მკვიდრთა რასობრივ დისკრიმინაციას. 1948 ნაციონალისტურმა პარტიამ ოფიციალურად გამოაცხადა *აპარტეიდის* პოლიტიკა და დაიწყეს „ბანტუსტანების" შექმნა 1950 კანონით „კომუნიზმის ჩახშობის შესახებ" აიკრძალა კომპარტია და ყველა დემოკრ. ორგანიზაცია. ამის პასუხად 1955 ივნ. კეიპტაუნში სამხრ. აფრ. ხალხთა კონგრესმა მიიღო თავისუფლების ქარტია, რ-მაც წამოაყენა რასობრივი დისკრიმინაციის სრული მოსპობის, ფართო დემოკრ. და სოც.-ეკონ. გარდაქმნების განხორციელების მოთხოვნები 1956 დეკში ხელისუფლებამ დაპატიმრა პროგრ. ორგანიზაციების 156 ლიდერი და ბრალად დასდო „სახელმწიფოს ღალატი". 1960 წ. 21 მარტს დახვრიტეს დემონსტრანტები (გაეროს გადაწყვეტილებით 21 მარტი ყოველწლიურად აღინიშნება როგორც რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დღე). 1960 ქვეყანაში 6 თვის განმავლობაში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა. 1956 საკ-მა საკონსულო ურთიერთობა გაწყვიტა სსრკ-თან აფრ. და აზიის ქვეყნების — ბრიტ. თანამეგობრობის წევრობის მოთხოვნით საკ გამოვიდა თანამეგობრობის შემადგენ-

სტ. *საირხე*. მარცხნიდან მარჯვნივ 1. ა) ჭვირულბურთულიანი საყურეები. ოქრო. სიმაღლე 92 *მმ*. საერთო წონა 59,78 გ. ბ) მთვარის ფორმის საყურეები. ოქრო. სიმაღლე 38 *მმ*. საერთო წონა 4,70 გ. გ) ჭვირულბურთულიანი საყურეები. ოქრო. სიმაღლე 48 *მმ*. საერთო წონა 9,33 გ. 2. არწივები. ოქრო. სიმაღლე 33 *მმ*. სიგრძე 39 *მმ*. საერთო წონა 7,2 გ. 3. ეშვის ფორმის საკიდები. ოქრო. სიგრძე 50 *მმ*. საერთო წონა 173,17 გ. 4. სასაფეთქლე საკიდები. სიგრძე 104 *მმ*. საერთო წონა 224,38 გ. ძვ. წ. V ს. II ნახევარი. 5. იხვის გამოსახულებიანი დასაკერებელი ფირფიტები. საერთო წონა 2,5 გ. 6. არწივის გამოსახულებიანი დასაკერებელი ფირფიტები. ძვ. წ. IV ს.



სტ. მ. სარიანი. „მთები". 1923. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ობიდან და 1961 წ. 31 მაისს რეფერენ-უმის (მონაწილეობდა მხოლოდ თეთრ-ნიანი მოსახლ.) შედეგად გამოცხადდა ა-ის შექმნა. რესპ. გამოცხადების შემ-ეგ კიდევ უფრო გაძლიერდა მთავრობის იტიდემოკრ. კურსი. 1962 აკრძალეს დე-ოკრატთა კონგრესი, დახურეს ყველა ოგრ. გამოცემა, ციხეში ჩაყარეს და გა-ასახლეს ათასობით დემოკრატი მოღვა-ე. კიდევ უფრო მახინჯი სახე მიიღო ტომ-ამორისი ზღუდეების პოლიტიკამ. „ბან-უს თვითმმართველობის" კანონით 1959), 60—70-იან წლებში რეზერვატე-ის ბაზაზე, ეთნ. ნიშნის მიხედვით შეი-ქნა ე. წ. „ეროვნული სამშობლოები" ანტუსტანები; სულ 10). მომდევნო წლებ-ი ზოგიერთ ბანტუსტანს — ტრანსკეის 1976), ბოფუტატსვანას (1977), ვენდას 1979) და სისკეის (1981) „დამოუკიდებ-ობა" კი მიანიჭეს. სარ-ის მშრომელთა ...ი. ბრძოლამ განსაკუთრებით დიდი ...ქანება მიიღო მოზამბიკში, ანგოლასა ა აფრ. სხვა ნაწილებში კოლონ. რეჟიმის ...ობის შემდეგ, 70-იან წლებში, გაძ-... და სარ-ის მშრომელთა საგაფიცვო ...ძრაობა. 1976 ზაფხულსა და შემოდგომა-ე სარ-ის მოსახლ. ფართო მასები გამო-ვდნენ რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

1976 წ. 16 ივნ. დაბვრიტეს სოუეტოს ...წავლელთა 10-ათასიანი მშვიდობიანი ემონსტრაცია, რამაც აღშფოთება გამოი-ვია მთელ მსოფლიოში. გაეროს დადგე-ილებით, 16 ივნ. სოუეტოს მსხვერპლთა ...ოვნის დღედ გამოცხადდა. ძლიერდება ...ოფლიო განმათ. და დემოკრ. ძალების ...არდაჭერა სარ-ის ხალხის სამართლიანი ...რძოლისადმი. გაეროს უშიშროების საბ-...ომ დაგმო სარ-ის კაცთმოძულე რეჟიმი, ...ნქცია მოიმარჯვა მის წინააღმდეგ ა 1978 აპარტჰეიდის წინააღმდეგ ბრძო-...ის წლად გამოაცხადა. დას. იმპერიალ. ...ხელმწიფოები აბუჩად იგდებენ სარ-ის შრომელთა ინტერესებს და აძლიერებენ ...ნტაქტს რასისტულ ხელისუფლებასთან, ...არულად აწვდიან მას იარაღს, საწვავს, ...შლილი აქვთ მასთან ფართო მასშტაბის ...ჭრობა. უცხოელი იმპერიალისტების დახ-...არებით 1979 სარ-ში გამოცადეს ატომუ-... იარაღი. სარ-ის ხელისუფლება განა-რძობს ნამიბიის ოკუპაციას და იარაღით ...შობს მოსახლ. განმათ. ბრძოლას. პე-...იოდულად თავს ესხმის მოზამბიკსა და ...ოლას და ამისთვის ფართოდ იყენებს ...ას. ქვეყნებიდან მილებულ უახლეს საომარ ...არაღს. 1983 წ. 2 ნოემბ. ჩატარდა რე-...ერენდუმი, სარ-ის თეთრკანიანმა მოსახ-...ეობამ მიიღო კონსტიტუცია, რ-იც ინარ-...ებს თეთრკანიანთა ბატონობას სა-...ელმწ. სისტემის ყველა დონეზე. „ფერად-ანიან" და ინდოელთა თემის წარმომად-ენელთა დაშვება ქვეყნის უმაღლეს სა-ანონმდებლო ორგანოში ფორმალურ ხასი-ის ატარებს. კლასობრივად მთლიანად განორირებულია აფრ. მოსახლ. უფლებები და ინტერესები.

ლიტ.: Давидсон А. Б., Южная Африка. Становление сил протеста, М., 972; Давидсон А. Б, Макрушин В. А., Облик далекой страны, М. 975; Риттер Э., Чака Зулу, пер. с нгл., М, 1977.

VI. პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები

ნაციონალისტური პარტია (ნპ), დაარსდა 1913. მმართველი პარტია 1948-იდან. გამოხატავს მსხვილ ეწარმეთა და სოფლის ბურჟ. (უმეტესწილად აფრიკანერული) ყველაზე უფრო რეაქციული წრეების ინტერესებს. აფრ. ეროვნ. კონგრესი (აეკ), დაარსდა 1912. აფრ. მოსახლ. რევ.-დემოკრ. პარტია. აღორძინებული ნაციონალისტური პარტია (ანპ), დაარსდა 1969. უკიდურესად მემარჯვენე პარტია. კონსერვატიული პარტია (კპ), დაარსდა 1982. სამხრ. აფრ. კომუნისტური პარტია (საკპ), დაარსდა 1921. 1950-იდან მოქმედებს არალეგალურად. პანაფრიკული კონგრესი (პკ), დაარსდა 1959. ახალი რესპუბლიკური პარტია (არპ), დაარსდა 1977. პროგრ.-ფედერალური პარტია (პფპ), დაარსდა 1977.

სამხრ. აფრ. პროფკავშირების კონგრესი, შეიქმნა 1955. სამხრ. აფრ. შრომის კონფედერაცია, შეიქმნა 1957. სამხრ. აფრ. პროფკავშირთა საბჭო, შეიქმნა 1954.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი


ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ეკონ. თვალსაზრისით სარ აფრიკის ყველაზე უფრო განვითარებული ინდუსტრ.-აგრ. სახელმწიფოა. იგი I ადგილზეა კაპიტალ. და განვითარებად ქვეყნებს შორის ოქროს მადნის, პლატინის ჯგუფის ლითონების, მანგანუმის, ქრომიტების, სტიბიუმის, ვანადიუმის, საიუველირო ალმასის მოპოვებით, II-ზე — აზბესტის მოპოვებით, III-ზე—ურანის კონცენტრატების წარმოებით. ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პოზიციები უჭირავს ადგილ. და უცხ. (უმთავრესად ინგლისი, აშშ, გფრ) მონოპ. კაპიტალს. რასობრივი დისკრიმინაცია, რ-ითაც გამსჭვალულია სარ-ის ცხოვრების ყველა მხარე, მოქმედებს ეკონ. სფეროშიც.

მრეწველობა იძლევა (1980) ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 40,7%-ს. მოპოვებითი მრეწველობა და ენერგეტიკა. სამთომოპოვებითი მრეწვ. სარ-ის მრეწვ. ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ქვეყნის სათბობ-ენერგეტ. რესურსების საფუძველია ქვანახშირი, რ-ის მთლიანი მოპოვების თითქმის 3/5-ს იძლევა ტრანსვაალი. ქვანახშირის საბადოებია აგრეთვე ორანჟის პროვინციასა და ნატალში. გამომუშავებული ელექტროენერგიის (92,2 მლრდ. *კვტ·სთ*, 1980) 98%-ზე მეტს იძლევა თესები. რკინის მადანს იღებენ ტრანსვაალში და კაპის პროვინციაში. სარ იძლევა კაპიტალ. სამყაროს მანგანუმის მადნის მთლიანი მოპოვების დაახლ. 1/4-ს, მადნის დიდ ნაწილს იღებენ პოსტმასბურგის რ-ნში. ქრომიტები (კაპიტალ. და განვითარებადი ქვეყნების მოპოვების დაახლ. 2/5) მუშავდება რიუსტენბურგისა და ლეიდენბურგის ოლქებში. სპილენძის მადანს იღებენ კაპის პროვინციაში და ტრანსვაალის ჩრდ. ნაწილში, სტიბიუმის მადანს (კაპიტალ. სამყაროს მოპოვების 1/4-მდე) — ტრანსვაალის ჩრდ.-აღმ. ნაწილში.

ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოქროს მოპოვებას. სარ-ში თავმოყრილია კაპიტალ. სამყაროს ოქროს მოპოვების 3/4-ზე მეტი. განსაკუთრებით მდიდარია ოქროთი ტრანსვაალი (იხ. *ვიტვატერსრანტი*) და ორანჟის პროვ. ჩრდ. ნაწილი. ურანს იღებენ ტრანსვაალისა და ორანჟის პროვინციებში, პლატინას (კაპიტალ. სამყაროს მთლიანი მოპოვების 4/5-ზე მეტი) — უმთავრესად ტრანსვაალში. სარ-ის წილად მოდის კაპიტალ. სამყაროს ალმასის პროდუქციის ღირებულების 65—70%. ალმასის დიდ ნაწილს იძლევა კაპის (კიმბერლი—ბლუმფონტეინის რ-ნი), ტრანსვაალისა და ორანჟის პროვინციები. აზბესტის მოპოვება თავმოყრილია ტრანსვაალში (80%-მდე) და კაპის პროვინციაში. იღებენ აგრეთვე კალას, ნიკელს, ვერცხლს, ტიტანს, ვანადიუმს, ფლუორიტს, ფოსფატებს, გრაფიტსა და სხვა. ძირითადი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ იხ. ცხრ.

ძირითადი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

	1937	1955	1965	1981
ქვანახშირი (მლნ. ტ)	15,5	32,1	48,5	130,3
რკინის მადანი (მლნ. ტ)	0,5	2,0	5,8	28,3
მანგანუმის მადანი (ათ. ტ)	632	589	1775	5000
ქრომიტები (ათ. ტ)	169	542	942	2900
სპილენძის მადანი (ათ. ტ)	11,4	43,0	60,5	199,4
ოქრო (ტ)	365,0	454,1	950,2	656,0
პლატინა და პლატინის ჯგუფის სხვა ლითონები (ტ)	1,2	11,9	23,3	67,8
ალმასი (ათ. კარ)	1030	2629	5026	9526,0
აზბესტი (ათ.ტ)	26	109,0	218,4	235,9



დამუშავებითი მრეწვ. დარგებს შორის პროდუქციის ღირებულებით პირველ ადგილზეა მეტალურგია, ლითონდამუშავება და მანქანათმშ., შემდეგ მოდის კვებისა და ქიმ. მრეწვ., შემდეგ — სხვა დარგები. თუჯისა (7,2 მლნ. ტ, 1980) და ფოლადის (8,9 მლნ. ტ, 1981) პროდუქციის 85%-ზე მეტს უშვებენ სახელმწ. საწარმოები. სრული ციკლის მეტალ. ქ-ნები განლაგებულია პრეტორიის, ფანდერბეილპარკისა და ნიუკასლის რ-ნებში. მალალხარისხოვან ფოლადს და ფეროშენადნობებს აწარმოებენ ფერენიგინგში, უიტბენკში, კუსფონტეინსა და სხვა ქ-ებში. ფერადი მეტალ. ქ-ნებია სპრინგზში, ჯერმისტონში, პრეტორიაში, ოკიპში. ლითონდამუშავებისა და მანქანათმშ. მთავარი ცენტრებია ჯერმისტონი, სპრინგზი, ფერენიგინგი. ამზადებენ სამთო მოწყობილობას, ამწეებს, ქვაბებს. არის ავტოსაამწყობო (პორტ-ელიზაბეთი), ვაგონთსაშ., ლოკომოტივთსაამწყობო, ვერტოსიპედების, შიგაწვის ძრავების და სხვ. წარმოება.

ინტენსიურად ვითარდება ქიმ. მრეწველობა, ამზადებენ გოგირდმჟავას, ფეთქებად ნივთიერებებს, ხელოვნურ სასუქებს, ფარმაცევტულ პრეპარატებს, სინთეზურ მასალას და სხვ. ნავთობგადასამუშ. ქ-ნები (კეიპტაუნი, დურბანი) მუშაობენ იმპორტულ ნავთობზე. ხელოვნურ თხევად სათბობს აწარმოებენ სასოლბურგში, ცემენტს — უმთავრესად კეიპტაუნის, იოჰანესბურგისა და სხვა დიდი ქ-ების მახლობლად. განვითარებულია კვებისა და საფეიქრო მრეწველობა.

სოფლის მეურნეობა მკვიდრი მოსახლ. 2/3-ის საარსებო წყაროა. ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება 2 ტიპის მეურნეობა: თეთრკანიანების მსხვილი მაღალსაქონლო მეურნ. (ევრ. სექტორი) და აფრიკელების უკიდურესად პრიმიტ. მეურნეობა (ბანტუსტანებში).

სოფ. მეურნეობაში გამოყენებულია ქვეყნის საერთო ფართობის დაახლ. 12%. ნათესი ფართობის დიდი ნაწილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს. მოჰყავთ (ათ. ტ, 1981): სიმინდი — 14700, ხორბალი — 2100; ციტრუსები — 714, ყურძენი — 1000, არაქისი — 374, ბამბა — 57, თამბაქო—34, ჩაი — 5, შაქრის ლერწამი — 16700. განვითარებულია მეცხოველეობა, უმთავრესად ინტენს. მეცხვარეობა. 1981 სარ-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 12,2, ცხვარი და თხა — 37, ღორი — 1,3. ნაპარსი მატყლის ოდენობით (98,2 ათ. ტ. 1980) სარ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში.

ტყეს უჭირავს დაახლ. 4,1 მლნ. ჰა. ხელოვნური ტყის ნარგაევებიდან სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ფიჭვისა (აღმ. ტრანსვაალი) და ავსტრალ. აკაციის (ტრანსვაალი და ნატალი) პლანტაციებს. მისდევენ თევზჭერას, უმთავრესად ატლანტის ოკ. სანაპიროზე.

ტრანსპორტი. რკინიგზის სიგრძეა 23,1 ათ. *კმ*, აქედან 4,5 ათ. *კმ* ელექტრიფიცირებულია. საავტ. გზების სიგრძეა 185,8 ათ. *კმ*, აქედან 38,3 ათ. *კმ* მოასფალტებულია (1979). 1979 ავტოპარკში იყო 3,7 მლნ. ავტომობილი, აქედან 2,3 მლნ. — მსუბუქი. 1977 საზღვ.-სავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 476,3 ათ. ბრუტო სარეგისტრო ტ. დიდი ნავსადგურებია დურბანი, რიჩარდზ-ბეი, სალდანია, კეიპტაუნი, პორტ-ელიზაბეთი. სარ-ზე გადის ბევრი საერთაშ. ავიახაზი.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1981 სარ-ის ექსპორტმა შეადგინა 18,1 მლრდ. რენდი (მ. შ. ოქროს ექსპორტმა — 8,3 მლრდ.), იმპორტმა — 18,4 მლრდ. გააქვთ ქვანახშირი, ოქრო, ალმასი, ლითონები, აზბესტი, სოფ. მეურნ. პროდუქცია. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, სატრანსპ. საშუალებანი, ქიმ. მრეწვ. პროდუქცია, სხვადასხვა სახის **მზა** ნაწარმი, სათბობი, სურსათი და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, აშშ, გფრ, იაპონია, შვეიცარია, საფრანგეთი.

VIII. შეიარაღებული ძალები

სარ-ის შეიარაღებული ძალები (65 ათ. კაცი) შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალებისა და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. სახმელეთო ჯარების საერთო რაოდენობაა 500 ათ. კაცი. სამხ.-საჰაერო ძალებში (10 ათ. კაცი) 360-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავია. სამხ.-საზღვ. ძალებში (4 ათ. კაცი) 30 საბრძოლო და დამხმარე ხომალდი და გემია. ძირითადი სამხ.-საზღვ. და სამხ.-საჰაერო ბაზებია დურბანი, ისტ-ლონდონი, კეიპტაუნი, პორტ-ელიზაბეთი და სხვ. შეიარაღება და სამხ. ტექნიკა უცხ. წარმოებისაა.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1980—84 სარ-ში შობადობა 1 ათ. მცხოვრებზე შეადგენდა 37,9, სიკვდილიანობა — 9,2; ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ 1 ათ. ცოცხლად შობილზე—91,7; თეთრკანიანებისათვის — 23,6; 8,8; 20,9. 1975 სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა თეთრკანიანებში იყო: 60,3 წელი, ფერადკანიანებში—34. გავრცელებული იყო ინფექციური დაავადებები (ტუბერკულოზი, მუცლის ტიფი და სხვ.).

1973 სარ-ში იყო 788 საავადმყოფო დაწესებულება 156,2 ათ. საწოლით (6,4 საწოლი ყოველ 1 ათ. მცხოვრებზე). მუშაობდა 12 ათ. ექიმი (1 ექიმი ყოველ 2 ათ. მცხოვრებზე), 1,7 ათ. კბილის ექიმი, 90 ათ-ზე მეტი საშ. სამედ. პერსონალი. ექიმებს ამზადებს უნ-ტების 5 სამედ. ფაკ-ტი. 1973 ჯანდაცვაზე დაიხარჯა სახელმწ. ბიუჯეტის 1,8%.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

განათლების სისტემა აგებულია მკაცრ რასობრივ პრინციპზე. 1976 შემოღებულია სავალდებულო 4-წლიანი სწავლება აფრიკელებისათვის. თეთრკანიანთა შვილებისათვის არის სკოლამდელი დაწესებულებები და 5-წლიანი დაწყ. სკოლა. ბანტუ ხალხისა და ინდიელთა შვილებისათვის არის 7-წლიანი დაწყ. სკოლა, სადაც სწავლება დედაენაზეა. 5-წლიანი საშ. სკოლა (3+2) ზოგადსაგანმან., სპეც. ან ტექნიკურია.

1983 თეთრკანიანთა შვილებისათვის იყო 2,6 ათ. დაწყ. და საშ. სკოლა (დაახლ. 903,6 ათ. მოსწ.). თეთრკანიანთა შვილები პროფ. განათლებას იღებდნენ 13 ტექ. კოლეჯში, ფერადკანიანთა შვილები — 2 კოლეჯში, 6 ტექ. და 21 სახელოსნო სკოლაში. თეთრკანიანებისათვის იყო 11 უნ-ტი (96 ათ-მდე სტუდენტი), ფერადკანიანებისათვის — 5 უნ-ტი (დაახლ. 9 ათ. სტუდენტი) და 6 უმაღლესი ტექ. კოლეჯი (64 ათ. სტუდენტი). ფერადკანიანთა აპარტჰეიდი და დისკრიმინაცია უდევს საფუძვლად სამეცნ. მუშაობის ორგანიზაციასაც.

სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო სამუშაოთა დიდი ნაწილი მილიტარიზაციის ტენდენციას ემორჩილება. XX ს. შუა წლებში სარ-ში მუშაობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები, მაგ., მ. თეილერი (ნობელის პრემია, 1951, გამოკვლევები ყვითელი ციებ-ცხელების შესახებ), კ. ბარნარდი (ქირურგი, გულის გადანერგვის ცდები) და სხვ.

ბ-კები. საჯარო ბლუმფონტეინში (260 ათ. ტ.); პარლამენტის (200 ათ. ტ.) და საქალაქო (1 მლნ. ტ) — ორივე კეიპტაუნში, და სხვ.; მუზეუმები: ეროვნ. ბლუმფონტეინში, სამხრ. აფრ. კულტურის ისტორიისა, სამხრ. აფრ. ეროვნ. გალერეა—ორივე კეიპტაუნში და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

სარ-ის მნიშვნელოვანი ჟამოცემებია: ყოველდღიური გაზეთები — „ტრანსვალერი" („Die Transvaler", 1937-იდან, აფრიკაანსის ენაზე, ტირაჟი 46 ათ.) — გამოხატავს ნაციონალისტური პარტიის თვალსაზრისს, „ფადერლანდი" („Die Vaderland", 1936-იდან, აფრიკაანსის ენაზე, ტირაჟი 64,3 ათ.) და სხვ.

სარ-ის კომპარტიის ჟამოცემებია: გაზ. „ინკულულეკო-ფრიდომი" („Inkululeko-Freedom", 1971-იდან, გამოდის არალეგალურად) და კვარტალური თეორიული ჟურნ. „აფრიკენ კომმიუნისტ" („The African Communist", 1956-იდან).

სარ-ის საინფორმაციო სააგენტო—„საუთ აფრიკენ პრესს ასოსიეიშენი" — დაარსდა 1938; რადიომაუწყებლობა—1936-იდან; ტელევიზია—1976-იდან.

XII. ლიტერატურა

სარ-ის ლიტ-რა ვითარდება ბანტუ (ზულუ, კოსა, სუტო, ჩუანა,, ჰოტენტოტების და ბუშმენების ჯგუფის, ძირითადად კი ინგლ. და აფრიკაანსის ენებზე. ფოლკლორი მოიცავს ძვ. ლეგენდებს, ძველ ბუშმენურ, ჰოტენტოტურ და ზულუსურ ზღაპრებს, ანდაზებს, კოლონიალიზაციის პერიოდში შექმნილ საგმირო ეპოსს. წერილობითი ლიტ-რა წარმოიშვა XIX ს. შუა წლებში, აფრ. ენებისათვის ლათ. საფუძველზე შექმნილი ანბანის შემოღების შემდეგ. XIX ს. დასასრ. წარმოიშვა ანტიკოლონ. მიმართულების „პროტესტის ლიტერატურა". სუტოს ენაზე ლიტ-რას საფუძველი ჩაუყარა ტ. მოფოლომ (1877—1948). ბანტუ და ინგლ. ენებზე დაწერილ რომანებში (ჯ. დუბე, გ. 1946; მ. ფუზე; ბ. უ. ვილაკაზი, 1906—47) ძირითადია ბანტუ ხალხების შეკავშირების იდეა. რასიზმის წინააღმდეგ პროტესტი ისმის გ. ზლომოს (დ. 1905—1945), ბ. ვილაკაზის, აგრეთვე თეთრკანიანების სარა გერტრუდ მილინის (დ. 1889), უ. პლუმერის და სხვ. შემოქმედებაში.

30-იანი წწ. მწერლები ამუშავებდნენ ზოგადსაკაცობრიო თემებს. II მსოფლიო ომის შემდეგ დღემდე ძირითადი კვლავ ანტირასობრივი თემაა [პ. აბრაჰამსი „ჭექა-ქუხილის ბილიკით", 1948; ჯ. გორდონი „ის დღე დაიქცეს", 1952; ა. ლა გუმა (დ. 1925) „ხეტიალი ღამეში", 1962 და სხვ.].

ლიტ.: Современные литературы Африки. Восточная и Южная Африка. М., 1974.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

სარ-ში შემონახულია კლდის მხატვრობის უამრავი ნიმუში — პეტროგლიფები და ბუნებრივი მინერ. საღებავებით შესრულებული ნახატები. სარ-ის ბუროთმოძღვრების განვითარება დაიწყო XVII ს. შუა წლებიდან, როდესაც ახლანდ. კეიპტაუნის ტერიტორიაზე აშენდა ფორტი (1652). 1666—72 აშენდა გეგმით ხუთკუთხა ქვის ციხე-დარბაზი (არქიტ. პ. დომბაერი). კეიპტაუნის განაშენიანებაზე გავლენა იქონია XVII — XVIII სს. ჰოლანდ. არქიტექტურამ, რ-იც გადამუშავებული იყო ადგილ. პირობების შესაბამისად. XVIII ს. დასასრ. არქიტ. მ. ტიბომ და მოქანდაკე ა. ანრეიტმა სარ-ის ბუროთმოძღვრებაში შეიტანეს აღორძინების ხანის ფრანგ. არქიტ. ელემენტები. XIX ს. დასაწყისში ძვირფასი ლითონების საბადოების აღმოჩენასთან დაკავშირებით მოსახლ. მოზღვავებას მოჰყვა ქ-ების (პორტ-ელიზაბეთი, დურბანი, ბლუმფონტეინი, იოჰანესბურგი, პრეტორია) ზრდა, განაშენიანება ძირითადად ეკლექტიკური სტილისა იყო. კეიპტაუნში გოთიკური სტილი ბატონობდა, იოჰანესბურგში — ნეოკლასიციზმური (არქიტ. ჰ. ბეიკერი). 1920-იან წწ. დასასრულიდან

სარ-ში შენდება ფუნქციონალისტური შენობები. 1930-იანი წლებიდან მშენებლობა მიმდინარეობს ევრ., აშშ-ისა და ლათ. ამერ. არქიტ. გავლენით. ძირითადი მოსახლ. ცხოვრობს დასახლებებში — კრაალებში, რ-ის შუაში საქონლის ბაკებია მოქცეული, ირგვლივ განლაგებულია ქოხები და ბეღლები.

XVIII ს. ბოლოს სარ-ში მუშაობდნენ ევრ. მოქანდაკეები (ა. ანრეიტი) და ფერმწერები (ტ. უ. ბოულერი, ჩ. პირსი და სხვ.), რ-ებმაც ზეგავლენა მოახდინეს სარ-ის ხელოვნებაზე. თანამედროვე ხელოვანთაგან აღსანიშნავი არიან ფერმწერი ჟ. სეკოტო და ხეზე კვეთის ოსტატი კეკანა. ახალგაზრდა ფერმწერები განათლებას იღებენ ადგილ. სამხატვრო სკოლაში. ფერმწერები: ჯ. მასიკე, ა. ნიბე და სხვ.; მოქანდაკეები: დ. კუბპეკა, ს. კუმალო და სხვ. მხატვრული ხელოსნობის დარგებიდან გავრცელებულია ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ხეზე კვეთა, ტყავის დამუშავება.

ლიტ.: Искусство народов Африки, М., 1975

XIV. მუსიკა

სარ-ის მუს. კულტურა მოიცავს ძირითადი მოსახლ. — თეთრკანიანებისა და ინდოელების მუს. ხელოვნებას. არსებობს მუსიკის არქ. ფორმები (ბუშმენები, ჰოტენტოტები) და განვითარებული მხატვრული შემოქმედება (ზულუს, კოსას სიმღერები, ჩოპის ქსილოფონისტთა ანსამბლები და სხვ.). XIX—XX სს. მიჯნაზე გადაიდგა ნაბიჯები ტრად. სიმღერების მოდერნიზაციისაკენ (ე. სონგონგა, რ. კალუზა). XX ს-ში ინგლ. კომპოზიტორ უ. გ. ბელის თაოსნობით ჩამოყალიბდა საკომპოზიტორო სკოლა (პ. რეინირი, გ. ფაუანი, ბ. კერსტმანი, ა. ვან ვეიკი, ი. დიუ პლესი და სხვ.). აქ მოღვაწეობდნენ ინგლ. მუსიკოსები: დირიჟორი ა. კოუტსი და კომპოზიტორი ე. ჩიზომი. შეიქმნა ეროვნ. ოპერის ჯგარი (ტ. მაჩიკიზას ოპერა „კინგა-კონგი", 1959, შესრულდა ევროპაში და აშშ-ში). ქვეყნის თვალსაჩინო მუსიკოსები არიან: მომღერალი მ. მაკება, მგოსანი-მყვირე პ. მასეკელა, მუსიკათმცოდნეები ჰ. ტრეისი და პ. კერბი.

რესპუბლიკაში მუშაობს სიმფ. ორკესტრი (დურბანში, იოჰანესბურგში, კეიპტაუნში), მუს. პროპაგანდის საზ-ბა; კეიპტაუნის უნ-ტთან არსებობს მუს. ფაკ-ტი და მასთან — საოპერო სკოლა.

XV. თეატრი

იმ სოც.-ეკონ. მიღწევების შემდეგ, რ-იც მოხდა საკ-ის შექმნისა და I მსოფლიო ომის შემდეგ, გაიზარდა თეატრ. ხელოვნებისადმი ინტერესი. სამხრ. აფრიკაში დაიწყეს ჩამოსვლა ევრ. საგასტროლო დასებმა. 20-იან წლებში გამოჩნდნენ პირველი აფრ. დრამატურგები. რასიზმის გაძლიერებამ და II მსოფლიო ომის შემდეგ მკაცრი ცენზურის შემოღებამ შეაფერხა თეატრის განვითარება. ერთადერთი ფერადკანიანი მსახიობების პროფ. დასია ეოანის თეატრი (შეიქმნა კეიპტაუნში, 1934), რ-იც გამოდის ქ-ებსა და სოფლებში. 1948 შეიქმნა ეროვნ. თეატრ. ორგანიზაცია. კეიპტაუნში მუშაობს უნ-ტის „ლიტლ თიეტრი", თეატრ. ჯგუფები „ლაბია" და „ჰოფმაიერი". 70-იან წლებში მუშაობდა რამდენიმე მოყვარულთა კოლექტივი: „სტუდია 71", სახ. ექსპერ. თეატრი (1973) და სხვ.

70-იანი წწ. შუა ხანებში აფრ. პროფ. ჯგუფების უმრავლესობა დაიშალა, ვინაიდან მათი ხელმძღვანელები და შემსრულებლები დააპატიმრეს და განდევნეს.

XVI. კინო

კინოწარმოება სარ-ში დაიწყო 1915, როდესაც იოჰანესბურგში აშენდა კინოსტუდია და ლაბორატორია „კილარნი". პირველი მუნჯი მხატვრული ფილმებია „კოლონისტები" (1916) და „მსხვერპლის სიმბოლო" (1918). იმპერიალ. პროპაგანდის ნამდვილ ნიმუშად იქცა ისტ. ფილმები „დინდაკა" (1967) და „მაჯუბა" (1968). რასისტულ თეორიებს ქადაგებენ სხვა ჟანრის (კომედია, მიუზიკლი, სათავგადასავლო) ფილმებშიც. შედარებით მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება რ. დევენიშის ანტირასისტული ფილმები „ბოუსმანი და ლენა" (1974) და „სტუმარი" (1977).

სამხრეთ-აღმოსავლეთი კონცხი (South East Point), ავსტრალიის კონტინენტის უკიდურესი სამხრ. წერტილი, ს. გ. 39°11′.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზა, აერთიანებს რკინიგზების ქსელს რსფსრ-ს, ვორონეჟის, ტამბოვის, ლიპეცკის ოლქებსა და უბნებს როსტოვის, რიაზანისა და ბელგოროდის ოლქების ფარგლებში. საექსპლუატაციო სიგრძეა (1979) 3580 *კმ*, მისი ტვირთბრუნვა შეადგენს საკავშირო ტვირთბრუნვის 3,4%, ხოლო მგზავრბრუნვა — 2,6% (1979). სამმართველო ქ. ვორონეჟშია. ს.-ა. რ. ერთ-ერთი უძველესი (1893) რკინიგზაა ჩვენს ქვეყანაში. გზის შემადგენლობაშია 5 განყ-ბა: მიჩურინსკის, ელეცის, ვორონეჟის, გეორგიუ-დეჟისა და ლიზაიის.

ს.-ა. რ. ერთმანეთთან აკავშირებს დონბასს, ჩრდ. კავკასიასა და ამირკავკასიას ცენტრსა და ევრ. ჩრდ. რ-ებთან, ვოლგისპირეთს — ქვეყნის სამხრ., დას. და ჩრდ.-დას. რ-ებთან. ს.-ა. რ. ემსახურება შავი მეტალურგიის, ქიმ. და ქვანახშირის მრეწვ., მანქანათმშ., სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებს, აგრეთვე სოფ. მეურნ. მხრივ განვითარებულ რ-ებს. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1966).

სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ნამიბიის სახელწოდება 1968-მდე.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შეტევა 1916, ბრუსილოვის გარღვევა, სამხრ.-დას. ფრონტის (573 ათ. კაცი, 1938 ქვემეხი, სარდალი კავალ. გენ. ა. ბრუსილოვი) რუს. არმიების შეტევითი ოპერაცია 22 მაისს (4 ივნ.) — აგვ. ბოლოს (სექტ. დასაწყ.) I მსოფლიო ომის (1914—18) დროს. ბანაკის დირექტივის თანახმად, მთავარი დარტყმა ავსტრ.-უნგრ. არმიების (448 ათ. კაცი, 1846 ქვემეხი) წინააღმდეგ უნდა განეხორციელებინა დას. ფრონტის ჯარებს მოლოდეწნოდან ვილნოს მიმართულებით, დამხმარე დარტყმები: ჩრდ. ფრონტის დვინსკის რ-ნიდან სამხრ.-დას-ით, სამხრ.-დას. ფრონტს — როვნოს რ-ნიდან ლუცკის მიმართულებით. სამხრ.-დას. ფრონტის შეტევა დაიწყო 22 მაისს (4 ივნ.) მე-11, მე-9, მე-8 და მე-7 არმიების ძალებით. 25 მაისს (7 ივნ.) მე-8 არმიამ გაარღვია ფრონტი და ლუცკი დაიკავა, ხოლო 2 (15) ივნ. გაანადგურა ავსტრ.-უნგრ. მე-4 არმია და 65 *კმ*-ით წაიწია. მე-3 და მე-8 არმიების ცდა გადაეღახა მდ. სტოხოდი უშედეგოდ დამთავრდა. ფრონტის ცენტრში მე-11 არმიამ სოპანოვთან, ხოლო მე-7 არმიამ იაზლოვეცთან ფრონტი გაარღვიეს, მაგრამ მტრის კონტრდარტყმების შედეგად შეტევა შეჩერდა. მე-9 არმიამ ფრონტი გაარღვია, გაანადგურა ავსტრ.-უნგრ. მე-7 არმია და 5(18) ივნ. ჩერნოვიცი დაიკავა, ხოლო ივნ.-ივლ-ში მთელი ბუკოვინა გაათავისუფლა. ს.-დ. შ. შ-ს სხვა ფრონტებმა დახმარება ვერ გაუწიეს, ხოლო ბანაკმა ვერ უზრუნველყო ფრონტების თანამოქმედება. დას. ფრონტის მიერ 2(15) ივნ. და 20—26 ივნ. (3—9 ივლ.) წამოწყებულ შეტევებს წარმატება არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ს.-დ. შ. შ-ს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მტერმა მაისს-აგვ-ში დაკარგა 1,5 მლნ. კაცი (რუსების ჯარებმა — დაახლ. 0,5 მლნ.). ს.-დ. შ. შ-ის შედეგად ავსტრ.-უნგრეთმა შეასუსტა ვერდენზე დაწოლა, რითაც საგრძნობლად შეამსუბუქა საფრ. და იტალ. მდგომარეობა.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი (სვგეფ), შეიქმნა 1960 წ. 20 დეკ., აერთიანებდა (1974) 30-ზე მეტ პატრ. პოლიტ. პარტიას, საზოგადოებრივსა და რელიგ. ორგანიზაციას. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერ. ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, 1975 საიგონის პროამერ. რეჟიმის დამხობაში. 1977 შეუერთდა *ვიეტნამის სამამულო ფრონტს.*

სამხრეთი, სამხრეთის წერტილი, ჰორიზონტის ერთ-ერთი მთავარი წერტილი, სამყაროს სამხრ. პოლუსთან უახლოესი იმ ორ წერტილს შორის, რ-ებშიც *ცის მერიდიანი* ჭეშმარიტ ჰორიზონტთან იკვეთება. იხ. *ცის სფერო.*

სამხრეთი ავსტრალია (South Australia), შტატი ავსტრალიის კავშირში, ინდოეთის ოკ. ავსტრალ. დიდი ყურის სანაპიროზე. ფართ. 984,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,3 მლნ. კაცი (1979), აქედან დაახლ. 85% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც.—ქ. ადელაიდა.

ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს უდაბნო ვაკეს, აღმ-ით და სამხრ.-აღმ-ით მაუნტ-ლოფტის, ფლინდერზისა და გოლერის მთებია, სამხრ-ით — მურეის ვაკე, სადაც თავმოყრილია შტატის თითქმის მთელი მოსახლეობა. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, შვრია. განვითარებულია მებაღეობა და მევენახეობა (I ადგილი ავსტრალიაში), საძოვრული მეცხოველეობა (ცხვარი, მსხვ. რქ. საქონელი).

იღებენ სპილენძისა და რკინის მადანს, ბუნებრივ აირს, ქვანახშირს. განვითარებულია შავი (უაიალა) და ფერადი (პორტ-პირი) მეტალურგია, მანქანათმშ. (საერთო, სას.-სამ., ელექტროტექ., გემთა და ავტომშენებლობა. ადელაიდა, უაიალა), მეღვინეობა (ღვინის საერთო-ეროვნ. წარმოების დაახლ. 65%), ნავთობქიმია (პორტ-სტანვაკი). მთავარი ნავსადგურებია: უაიალა, პორტ-სტანვაკი, პორტ-ადელაიდა, პორტ-პირი.

სამხრეთი ალთაი, ქედი ალთაის სამხრ. ნაწილში. სიგრძე 125 *კმ*-მდე. სიმაღლე 3871 *მ*-მდე. კალთებზე 1400—1500 *მ* სიმაღლემდე სტეპური ლანდშაფტია, 2100—2200 *მ*-მდე — ლარიქსის ტყეები, უფრო მაღლა — სუბალპ. და ალპ. მდელოები. არის მყინვარები.

სამხრეთი ალპები (Southern Alps), ახალი ზელანდიის ალპები, ქედი ახალ ზელანდიაში. გადაჭიმულია სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-კენ თითქმის მთელ სამხრ. კუნძულზე. მაქს. სიმაღლე 3764 *მ*-მდე (კუკის მთა). უმთავრესად აგებულია კრისტ. ფიქლებით. არის მყინვარები და მარადი თოვლი. დას. კალთებზე მარადმწვანე ტყეებია, აღმ. კალთებზე — გვალვაგამძლე ბუჩქნარი და ბალახეული.

სამხრეთი ამერიკა, კონტინენტი დას. ნახევარსფეროს სამხრ. ნაწილში.

I. ზოგადი ცნობები

ს. ა. მდებარეობს ჩ. გ. 12°26′ (გალიინასის კონცხი გუახირის ნ.-კ-ზე) და ს. გ. 53°54′ (ფროუორდის კონცხი ბრანსუიკის ნ.-კ-ზე), დ. გ. 34°37′ (კაბუ-ბრანკუს კონცხი) და დ. გ. 81°20′ (პარინიასის კონცხი) შორის. ჩრდ-ით აკრავს კარიბის ზღვა, აღმ-ით — ატლანტის ოკ., სამხრ-ით — მაგელანის სრუტე, დას-ით — წყნარი ოკეანე. პანამის ყელით უკავშირდება ცენტრ. და ჩრდ. ამერიკას. კონტინენტის ფართ. 17,65 მლნ. *კმ*², კ-ებიანად 18,28 მლნ. *კმ*². ს. ა-ს ეკუთვნის ქარზურგა კ-ები და კ. ტრინიდადი, ფოლკლენდის (მალვინის) კ-ები, ცეცხლოვანი მიწის არქ. (რ-ის სამხრ-ით კუნძულზე მდებარეობს ჰორნის კონცხი—ს. ა-ის უკიდურესი სამხრ. დაბოლოება — ს. გ. 55°59′), გალაპაგოსის, ჩილეს სამხრ-ით მდებარე და სხვა კ-ები.

სამხრეთი ამერიკა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 67
II. ბუნება 68
III. გეოგრაფიული კვლევის ისტორია . . 69
IV. მოსახლეობა . . 80
V. პოლიტიკური დაყოფა

ს. ა-ის ნაპირები ძალზე სუსტადაა დანაწევრებული, მხოლოდ სამხრ.-დას. ნაწილია ფიორდებით შეჭრილ-შემოჭრილი. ხმელეთში ღრმადაა შეჭრილი გუაიაკილის (დას.) და ვენესუელის (ჩრდ.) ყურეები, ტბა-ლაგუნა მარაკაიბო (ჩრდ.) და ლა-პლატის ყურე (სამხრ.-აღმ.). წყნარი ოკ. სანაპირო (სამხრ.-დას. ნაწილის გარდა) უმთავრესად სწორხაზოვანი და აბრაზიულ-აკუმულაციურია, პერუში — უმთავრესად კლდოვანი; ატლანტის ოკ. სანაპიროც სწორხაზოვანია, გუანაბარის ყურის სამხრ-ით ს. გ. 30°-მდე ნაპირი დანაწევრებულია და ბევრი ინგრესიული უბეა; ღია, ნამგლისებრი ყურეები დამახასიათებელია პატაგონიის სანაპიროსათვის.

II. ბუნება

რელიეფი. ს. ა-ში მკაფიოდ გაირჩევა ბაქნური ვაკეზეგნიანი ანდებსგარე აღმოსაელეთი და ანდის მთების ოროგენიულ სარტყელში მოქცეული ანდური დასავლეთი. სამხრ.-ამერ. ბაქნის აზევებებს რელიეფში შეესაბამება გუიანის, ბრაზ. და პატაგონიის ზეგნები, ჩაღუნვებს — ლიანოს-ორინოკოს, ამაზონის, ბენი-მამორეს, გრან-ჩაკოსა და სხვა ვაკეები და დაბლობები. აღმ-ით ზეგნები შემოფარგლულია სანაპირო ვაკეების ვიწრო წყვეტილი ზოლით. გვიანის ზეგნის (სიმაღლე 3014 მ-მდე, მთა ნებლინა) და ბრაზ. ზეგნის (სიმაღლე 2890 მ-მდე, მთა ბანდეირა) რელიეფში ჭარბობს ცოკოლიანი ტაღლოვანი ვაკეები (სიმაღლე 1500 — 1700 მ-მდე), რ-ებზედაც მკაფიოდ გამოირჩევა კონუსური შთენილი მწვერვალები და ჭუხები (მაგ., სერა-დუ-ესპინიასუ) ან მაგიდა მაღლობები — ე. წ. შაპადები (აუიან-ტეპუი, რორაიმა და სხვ.). პატაგონიაში უპირატესად განვითარებულია კანიონებით დასერილი შრეებრივი, მ. შ. ვულკ. საფეხურებრივი პლატოები. კონტინენტის დას. კიდეებზე, დაახლ. 9000 კმ-ზე, გადაჭიმულია *ანდების* მთათა სისტემა. ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით, ვენესუელაში, განლაგებულია ,რღვევებითა და მდინარის ეროზიით ღრმად დანაწევრებული კარიბის ანდების ორი მთაგრეხილი. მათი სამხრ.-დას.გაგრძელებაა ჩრდ.-დას. ანდების ნაოჭა-ლოდ ქედები. წყნარი ოკ. სანაპიროს გასწვრივ, გადაჭიმულია ანდების შირითადი სისტემა, რ-იც შედგება უმთავრესად მერიდიანული მიმართულების რამდენიმე ქედისაგან. ჩრდ. ნაწილისათვის (ეკვადორისა და პერუს ანდები) დამახასიათებელია მაღალი ნაოჭალოდა ქედებისა და ღრმა ქვაბულების მონაცვლეობა. ეკვადორში მთათაშუა ქვაბული ჩიმბორასოსა და კოტოპახის ვულკ. მასალითაა ამოვსებული. ამ რეგიონში ვხვდებით აგრეთვე 2—3 ათ. მ სიმაღლის ძვ. ნატბეურ პლატოებს. ცენტრ. ანდებისათვის დამახასიათებელია კიდური ქედებით შემოზღუდული და 3,8—4,8 ათ. მ-მდე აზიდული შიგა ზეგნები, რ-თაგან ყველაზე ვრცელია ზეგანი პუნა. სამხრ. ნაწილშია ჩილე-არგენტინის ანდები (აქაა ანდების უმაღლესი მწვ. აკონკაგუა, 6960 მ) და პატაგონიის ანდები. ცენტრ. ანდებთან შედარებით მთათა სისტემა აქ დავიწროებულია, ხოლო უკიდურეს სამხრ-ში კ-თა ჯგუფად — არქიპელაგად გადაიქცევა. თანამედროვე გამყინვარებას ს. ა-ში 25 ათ. კმ² ფართობი უკავია.

გეოლ. აგებულება და სასარგებლო წიაღისეული. ს. ა-ის კონტინენტი შედგება ორი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან — სამხრ. ამერ. ბაქნისა (ცენტრსა და აღმ-ით) და ანდების ნაოჭა მთიანი სისტემისაგან (ჩრდ., დას. და სამხრ-ით). ბაქნის ფუნდამენტი შედგება სხვადასხვა დროს (არქეულიდან ადრინდ. პალეოზოური დროის ჩათვლით) კონსოლიდირებული ბლოკებისაგან. ფუნდამენტის ვრცელი შეერილებია გვიანის, დას. და აღმ. ბრაზ. ფარები, რ-ებიც აგებულია კამბრიულისწინა მეტამორფული ქანებისა და გრანიტებისგან. გვიანისა და დას. ბრაზ. ფარის წყალგამყოფებზე შემორჩენილია ძვ., პროტობაქნური საფრის ნაშთები — წითელი ფერის ტერიგენული ნალექები და ბაზალტების განფენები გარო-დიაბაზების დაიკებითა და სილებით; უფრო ახალგაზრდა (შუა-ზედაპალეოზოური და მეზოზოური ასაკის) საფარი ავსებს ბაქნის ღრმულებს. ატლანტის ოკ. სანაპირო ზოლი აგებულია ცარცული სისტემის (გრაბენებსა და ნახევრად გრაბენებში) და კაინოზოური ჯგუფის (სანაპირო ვაკეებსა და შელფზე) ნალექებით.

ანდების ნაოჭა მთათა სისტემა ძირითადად ჩამოყალიბდა ალპ. დანაოჭების შედეგად. იგი ჩაისახა ტრიასულ პეროდში პალეოზოურ და ბაიკალურ დანაოჭებულ სუბსტრატზე. ტერიგენული და ვულკანოგენური ნალექთდაგროვება ცარცული პერიოდის ბოლომდე გრძელდებოდა; შემდეგ დაიწყო დანაოჭება, რ-საც მოჰყვა გრანიტოიდული ინტრუზიების შემოჭრა. კაინოზოურ ერაში ჩაისახა და ჩამოყალიბდა მთათაშუა და კიდური როფები, რ-ებიც ამოივსო დიდი სისქის დანალექი წყებებით; ანდებში დაიწყო აგრეთვე ინტენს. ვულკ. მოქმედება, რ-იც ახლაც გრძელდება (ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილე). ხშირია მიწისძვრები, მ. შ. დამანგრეველიც (პერუ, ჩილე).

ს. ა. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: რკინის მადნის უდიდესი საბადოებია ვენესუელასა და ბრაზილიაში; სპილენძისა — ცენტრ. ანდებში; ნიშვიათი ელემენტებისა — აღმ. ბრაზილიაში; კალის, სტიბიუმის და ვერცხლისა — ბოლივიაში; ნავთობისა — ვენესუელაში; ბოქსიტებისა— გაიანასა და სურინამში; არის აგრეთვე ქვანახშირისა და მურა ნახშირის საბადოები.

ჰავა. კონტინენტის უმთავრესად დაბალ განედებში მდებარეობა განაპირობებს მზის სითბოს დიდი რაოდენობით მიღებას. სამხრ. ტროპიკის ჩრდ-ით მდებარე ტერიტორიაზე ჰაერის საშ. თვიური ტემპერები 20—28°C შორის მერყეობს (მაქს. 49°C, გრან-ჩაკოში), პატაგონიაში ზაფხულში (იანვ.) 10°C-მდე ეცემა, პამპაში ზამთარში (ივლ.) 6—10°C-მდე, ხოლო უკიდურეს სამხრ. ნაწილში 1°C-მდე. მაღალმთიან ზეგნებსა და სამხრ. ნაწილში მინ. ტემპ-რა —30°C-მდეა. ჰაერის მასების ეკვატორული პასატურ-მუსონური ცირკულაცია იწვევს ატლანტის ოკეანიდან კონტინენტის სიღრმეში თბილი და ნოტიო ჰაერის შეჭრას, რაც ანდების აღმ. კალთებამდე ვრცელდება და განაპირობებს ნალექების სიუხვეს. ს. ა. მდებარეობს ეკვატორულ, ჩრდ. და სამხრ. სუბეკვატორულ, ტროპ., სუბტროპ. და ზომიერ კლიმ. სარტყლებში. ეკვატორული სარტყელი მოიცავს ამაზონის დაბლობის დიდ ნაწილს, სადაც მუდმივად ნოტიო და ცხელი ჰავაა; დას. ნაწილში — ანდებში — მთის ეკვატორული ჰავაა. სუბეკვატორულ სარტყლებში ზაფხული ცხელი და ნოტიო იცის, ზამთარი— თბილი და მშრალი. სუბეკვატორული ჰავა ს. ა-ის ჩრდ-ში, ლიანოს-ორინოკოს დაბლობზე, გვიანის ზეგნის ჩრდ., ბრაზ. ზეგნის ჩრდ. და ცენტრ. ნაწილებში, ბკრი — ბენი-მამორეს ვაკეებსა და ეკვადორის დას. რ-ნებში. ტროპ. სარტყელში დანესტიანება კლებულობს აღმ-იდან დას-კენ (კონტინენტის ცენტრ. ნაწილში ზაფხულის წვიმები დაკავშირებულია ჩრდ-იდან შემოჭრილ ეკვატორულ ჰაერის მასებთან). ცენტრ. ანდებში მდებარე პუნა აღმ. ქარებისაგან თითქმის იზოლირებულია; მის ჩრდ. ნაწილში ტროპ. მაღალი მთის გვალვიანი ჰავაა (ზაფხულობით იცის წვიმები), ცენტრ. და სამხრ. ნაწილში კი — კონტინენტური უდაბნოსი. სარტყლის წყნაროკეანურ ნაწილში ჰავა განსაკუთრებით მშრალია, ნალექები ხშირად წლობით არ მოდის; სანაპირო ზოლი გამოირჩევა ზამთარგაზაფხულის ძლიერი ნისლითა და ჟღლით, აგრეთვე შედარებით დაბ ტემპ-რებით. სუბტროპ. სარტყლის ნაწილში (ბრაზ. ზეგნის სამხრ., პამპა) თბილი და მუდმივად ნოტიო ვაა; დამახასიათებელია სამხრეთის ერი ქარი — პამპერო, რ-იც ზამთრ იწვევს წაყინვებს. დას-ით ჰავა მშრალია, ნალექები მხოლოდ ზაფხ მოდის. წყნაროკეანისპირა სექტ (შუა ჩილე) ხმელთაშუა ზღვის ჰავაა მშრალი ზაფხულითა და ზამთრით. ზომიერი სარტყლის ჰავაზე გავლენას ახდენს ჰაერის მასების სავლეთური გადატანა. მათ ან ქარპირა დას. კალთებზე დიდი რა ნობით მოაქვთ ნალექი, პატაგონია „წვიმის ჩრდილში" ხვდება და ჰავა ვარუდაბნოსია.

შიგა წყლები. ს. ა. მდიდ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლე აქვა მსოფლიოში ყველაზე წყალ მდინარე ამაზონი. ს. ა-ზე მოდის დ მიწის მდინარეთა ჩამონადენის 27%, მონადენის საშ. ფენა (58 სმ) მთელი ლეთის საშ. მაჩვენებელზე თითქმის ჯერ მეტია, მაგრამ არათანაბრად განაწილებული — რამდენიმე მმ-იდან ულ სმ-მდე. ასევე არათანაბრადაა არის ნაწილებული მდ-ებიც ოკეანის აუზ მიხედვით. წყნარი ოკ. აუზი 12-ჯერ რეა ატლანტიკურზე (მათი წყალგამყ ძირითადად ანდებზე გადის). გარდა სა ს. ა-ის ტერიტ. 10% დახშული აუ რ-იც იწყება გუაიაკილის ყურიდან, გა ცენტრ. ანდების მთიანეთზე და გრძ დება სამხრ. პამპამდე. მდ-ები ძირითა საზრდოობენ წვიმის წყლით, უკიდუ სამხრ. ნაწილში — თოვლითა და მყინვ ბით. ვაკის მდ-ები გამოყენებულია სან ნოდ. მთის მდ-ებზე ბევრი ჭორომი ჩანჩქერია (ანხელი, კაიეტური, იგუ და სხვ.). მდ-ები მდიდარია ჰიდროე გორესურსებით.

მყინვარული წარმოშობის დიდი ტბ ლაგო-არხენტინო, ბუენოს-აირესი, ლ კიუე და სხვ. ანდებშია მსოფლიოში ლაზე მაღლა მდებარე დიდი ტბა—ტ კაკა, აქვეა შთენილი ტბა პოოპო და ლაგუნური ტბებიდან აღსანიშნავია მ კაიბო, პატუსი, ლაგოა-მირინი.

ნიადაგები და მცენარ ლობა. ს. ა-ის დიდი ნაწილი ფლო ტიკულად *ნეოტროპიკულ ოლქს* ეკუთვ სამხრ. ნაწილი კი (ს. გ. 40°-იდან) — *ტარქტიკის ოლქს*. ს. ა-ის ტერიტორი ჭარბობს ნოტიო, მარადმწვანე, ძირ დად ეკვატორული ტყე, ე. წ. *პილეა* (ზილიაში—სელვასი), რ-იც გავრცელ ლია ამაზონის დაბლობსა და მისი მი ბარე ზეგნებისა და ანდების კალთე დას. კოლუმბიასა და ბრაზ. ზეგნის ფერდობებზე. ჰილეის ქვეშ განვითარ ლია წითელ-ყვითელი ფერალლითური ადაგები. ანდების მთის ჰილეაში კა დაა გამოხატული სიმაღლებრივი სარ ლურობა. აღმ. ამაზონიაში ეკვატორ დაშორებასთან ერთად ჰილეაში ჩნ ფოთოლმცვივანი ხემცენარეები, ხ გვიანის ზეგნის ჩრდ. და ბრაზ. ზე ჩრდ. და აღმ. ნაწილში იგი ფოთოლმ ვანი და მარადმწვანე ტყით იცვლება.

სუბეკვატორულ და ტროპ. სარტყ ში, სადაც გვალვიანი სეზონი მკაფ არის გამოხატული, განვითარებულია ვანა და ნათელი ტყე. ლიანოს-ორინო სამხრ. ნაწილში, ბენი-მამორესა და გუაი — ტოკანტინსის ვაკეებზე წი ფერალლითურ ნიადაგზე ხარობს ნო მაღალბალახიანი პალმიანი სავანა და ნური ტყე. ბრაზ. ზეგნის ცენტრ. ნაწი და კონტინენტის უკიდურეს ჩრდ. ნაწი გეხვდება მშრალი სავანა ქსეროფილ ხემცენარეებით. ჩრდ.-აღმ. ნაწილში მნიშვნელოვანი ფართობი უკავია გაუ ნოებულ ნათელ ტყეს — კაატინგას. გ

ს ვაკეზე ყავისფერ-წითელ ნიადა-
ე ხარობს მშრალი ტროპ. ტყე. ან-
ს აღმ. კალთებზე სუბეკვატორულ
ტროპ. სარტყლებშიც მკაფიოდ გამო-
ული ვერტ. სარტყლურობაა.
უბტროპ. სარტყელში ნახევარუდაბ-
ს დას.-ით ცელის ყავისფერ ნიადაგებ-
აღმოცენებული „ხმელთაშუაზღვიუ-
ზაფხულმშრალი ხეშეშფოთლიანი
და ბუჩქნარი. ს. გ. 37—38°-ის სამხრ-
ისინი ნოტიო, მარადმწვანე შერეული
ი — ჰემიჰილეით იცვლება. აქ ტყის
ნაცვლად ნიადაგზე ხარობს სამხრეთის წი-
ი, ნოტოფაგუსი, მაგნოლია, დაფნა,
კოვნებიდან — ჩილეს არაუკარია და
. ბევრია ლიანა, ბამბუკი, ეპიფიტი,
რა. ანდების აღმ-ით, არგენტ. ჩრდ.-
ნაწილში, გაბატონებულია ბუჩქნ-
ნახევარუდაბნო და უდაბნო, აღმ.-კენ
ტივის მატებასთან ერთად ადგილს
ს მარცვლოვან-ნაირბალახოვანი სტე-
პამპა. ბრაზ. ზეგნის ამაღლებულ
რ. ნაწილში გავრცელებულია სუბ-
პ. ნოტიო-მარადმწვანე ტყე —პინე-
.
ომიერი სარტყლის აღმ. ნაწილში
აგონია) რუხ-მურა და დამლაშე-
ნიადაგებზე მშრალი სტეპი და ნახე-
ვდაბნოა. პატაგონიის ანდების დას.
თებზე ტყის ყომრალ ნიადაგზე ხა-
ს მარადმწვანე და ფოთოლმცვივანი
რეთის წიფლის ტყე, აღმ. კალთებზე—
კოვანი და ფოთოლმცვივანი ტყე, ხო-
ცეცხლოვანი მიწის ჩრდ. მთისპირა
აბლებაში წაბლა ნიადაგზე გავრცე-
ულია სტეპი. კონტინენტის ჩრდ.-დას.
აღმ. სანაპირო (ს. გ. 27°-მდე) შემო-
გლულია მანგროვიანით.
ხოველთა სამყარო. კონტი-
ის პალეოგეოგრ. განვითარების გან-
თრებული პირობების გამო ს. ა-ის ფა-
იმდენად თავისებურია, რომ იგი ვესტ-
ოეთის კ-ებთან და ცენტრ. ამერიკასთან
ად ქმნის დამოუკიდებელ სამეფოს—*ნეო-
ს*, რ-შიც შედის ერთადერთი *ნეოტრო-
ული ოლქი*. ეს ოლქი ს. ა-ის ტერიტო-
ზე გვიანა-ბრაზ. და ჩილე-პატაგონიის
ილქებად იყოფა. ს. ა-ის ფაუნა მდი-
ია ენდემური სახეობებით (ზარმაცე-
ჭიანჭველაჭამიები, ცხვირფართო მაი-
ები, ლამები და სხვ.). ს. ა-ში ჩანთოსა-
ს, მახრჩობელა ბოას და სხვ. არსებო-
პუთითებს იმაზე, რომ წარსულში ეს
ინენტი დაკავშირებული იყო მადა-
არსა და ავსტრალიასთან. მდიდარი და
ალფეროვანია ს. ა-ის ნოტიო ტროპ.
ეკვატორული ტყის ფაუნა, სადაც ცხო-
თა უმრავლესობა სიცოცხლის მეტ
ლს ხეზე ატარებს; აქ ბინადრობენ
ჭუნები, ზარმაცები, ჭიანჭველაჭამიები,
ებლებიდან ოცელოტი და იაგუარი,
ეთე ტყის ძაღლი, ჩლიქოსნებიდან —
ირი, პატარა გარეული ღორი პეკარი
სხვ. მღრღნელებიდან გვხვდება მეხეური
ზღარბა კოენდე, ჩანთოსანი ვირთაგ-
ბევრია ღამურა. მდიდარია ორნითოფა-
(თუთიყუშები, სვავი, კოლიბრები).
ოპ. ტყეებში უამრავი მწერია — ღამისა
დღის პეპლები, 100 ათ. სახეობის ხო-
ქვეწარმავლებიდან აღსანიშნავია
ის ანაკონდა და ბმელეთის მახრჩობე-
ბოა-კონსტრიქტორი, ბევრია შხამიანი
ლი, ხვლიკი. მდ-ებში ბინადრობს ნი-
ა, მდინარის დელფინი ინია, მტაცე-
ი თევზი პირანია; აქ თევზის 2 ათ. სა-
ბას ითვლიან. სუბეკვატორული და
ოპ. სარტყლების სავანასა და მეჩხერ
ში და სუბტროპ. სარტყლის სტეპში
ცებლებიდან გვხვდება იაგუარი, პუმა,
ლოტი, პამპასის კატა, პამპასის მელა,
ჯრიანი მგელი, სავანის მელა, ჩლიქოს-
ადან პამპასის ირემი. მდ-ებსა და ტბებ-
რის ნუტრია. ფრინველებიდან აღსანიშ-
ია სირაქლემა ნანდუ, ბევრია თუთიყუში
კოლიბრი. ანდებში ბინადრობს რე-
ტური სათვალიანი დათვი, ლამა,
პუანაკო და სხვ. უკიდურეს სამხრ. ნაწილ-
ში გვხვდება მაგელანის მელა.

ბუნებრივი რაიონები. რე-
ლიეფის გათვალისწინებით ს. ა-ს ყოფენ
ორ დიდ ნაწილად — ანდებსგა-
რე აღმოსავლეთად და ან-
დურ დასავლეთად. ანდებსგარე
აღმ-ში გამოყოფილია შემდეგი ბუნებრივი
მხარეები: ლიანოს-ორინოკო —
სუბეკვატორული სარტყლის ვაკეები, სა-
დაც ნოტიო და ცხელ ზაფხულს თბილი
და მშრალი ზამთარი ცვლის. დაფარულია
სავანითა და ნათელი ტყით; ამაზო-
ნია — დაბლობი ვაკე ეკვატორულ სარ-
ტყელში. დამახასიათებელია მდინარეთა
ხშირი ქსელი, მარადმწვანე ნოტიო ტყე—
პილეა; გვიანის ზეგანი — უმ-
თავრესად ცოკოლიანი დენუდაციური ვა-
კეები კრისტ. ჭიუხებითა და ქვიშაქვის მა-
გიდა მასივებით. შემოსილია ნოტიო (ჩრდ-
ში სეზონურად ნოტიო) მარადმწვანე
ტყით. ჰავა ცხელია და მუდმივად ნოტიო.
მდ-ები წყალუხვია და ჭორომიანი; ბრაზ.
ზეგანი — მაღალი მასივები და ცოკო-
ლიანი ვაკეები, რ-თა ჩრდ.-დას. სუბეკვა-
ტორულ და აღმ. ტროპ. რ-ნებში გავრცე-
ლებულია სეზონურად ნოტიო და მუდმივად
ნოტიო ტყეები, ცენტრ. ნაწილში — ბუჩ-
ქოვანი სავანა, ჩრდ.-აღმ. ნაწილში —
სუბტროპ. მარადმწვანე და ფართოფოთ-
ლოვანი ტყეები და სავანა; შიგა ვაკე-
ები — აკუმულაციური ვაკეები ბრაზი-
ლიის ზეგანსა და ანდების აღმ. კალთებს
შორის (ს. გ. 10-იდან 39°-მდე). ჩრდ. ნა-
წილში (ბენი-მამორეს ვაკეები) არის სუბ-
ეკვატორული სავანა და სავანური ტყე,
ცენტრ. ნაწილში (გრან-ჩაკო) — ტროპ.
ნათელი ტყე, სამხრ. ნაწილში— სუბტროპ.
სავანა, ტყესტეპი და სტეპი; პამპის
სიერები და კორდილიერის-
წინეთი — ნაოჭა-ლოდა მთიანი მასი-
ების მხარე. ჰავა მშრალი, სუბტროპ.
და ტროპიკულია. არის ქსეროფილური ტყე,
მშრალი ბუჩქნარი და ნახევარუდაბნოები;
პატაგონია — ზეგანი. ჰავა ზომიე-
რად კონტინენტურია, მცენარეულობა —
ნახევარუდაბნოსი.

ანდურ დას-ში გამოყოფილია შემდეგი
ბუნებრივი მხარეები: კარიბის ან-
დები — ძლიერ დანაწევრებული ქედე-
ბი. ჰავა სუბეკვატორულია. ხარობს
ფოთოლმცვივანი და მარადმწვანე ტყე;
ჩრდ.-დას. ანდები — ქედებისა და
ტექტონ. ქვაბულების სისტემა. დამახა-
სიათებელია ვულკანიზმი, თანამედრო-
ვე გამყინვარება. კალთები შემოსილია
ნოტიო ეკვატორული ტყით. ქვაბულებ-
ში სავანაა; ეკვატორული ანდე-
ბი — ძირითადად ორი მთაგრეხილი, რ-თა
შორის სივრცე ამოვსებულია ვულკ. მოქ-
მედების პროდუქტებით. ჰავა მთის ეკვატო-
რულია. კარგად არის გამოხატული ლანდ-
შაფტის ვერტ. ზონალურობა. სამხრ.-დას.
მთისპირა ვაკეზე სუბეკვატორული ჰავა
და მცენარეულობაა; პერუს ანდე-
ბი (ს. გ. 14°30′-მდე) — პარალელური ქე-
დები თანამედროვე გამყინვარებით. აღმ.
კალთები შემოსილია მთის ჰილეით, შიგა
ზეგნებზე მაღალმთიანეთის სტეპია (ხალ-
კა), დას. კალთებზე — ტროპ. უდაბნო და
ნახევარუდაბნო; ცენტრ. ანდები—
(ს. გ. 26°-მდე) — ანდების ყველაზე გა-
ნიერი ნაწილი. მდებარეობს ტროპ. სარ-
ტყელში. აღმ. კალთები შემოსილია ნო-
ტიო მთის ტყით. ქედებს შორის მოქცეულია
ვრცელი უდაბნო ზეგანი პუნა. წყნაროკეა-
ნურ სანაპირო ზოლში უდაბნოს ლანდშაფ-
ტია; სუბტროპ. ანდები (ს. გ.
41°30′-მდე) — ქედები, რ-თვისაც დამა-
ხასიათებელია აქტ. ვულკანიზმი. ჩრდ. ნა-
წილში ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია,
ცენტრ. ნაწილში — ხმელთაშუა ზღვისა,
სამხრ. ნაწილში — ნოტიო სუბტროპიკული
(ჰემიპილეა); პატაგონიის ან-
დები — ანდების უკიდურესი სამხრ. ნა-
წილი. ჰავა ნოტიოა და გრილი. ჩრდ-ით
შერეული და მარადმწვანე ტყეებია, აღმ.
კალთებზე — წიწვოვანი ფოთოლმცვივანი
ტყე. არის მნიშვნელოვანი თანამედროვე
გამყინვარება. სანაპირო ზოლში გასწვ-
რივი ფიორდული ხეობებია.

III. გეოგრაფიული კვლევის ისტორია

პირველი ისტორიულად დადგენილი
ნაოსნობა ს. ა-ის ნაპირებთან მოაწყო ქ.
კოლუმბმა; 1498 მან აღმოაჩინა კ. ტრინი-
დადი, ს. ა-ის სანაპიროს ნაწილი მდ.
ორინოკოს დელტიდან პარიის ნ.-კ-მდე
და მარგარიტას კუნძული. 1499—1500 ა.
ოხედას ესპ. ექსპედიციამ, რ-შიც მონაწი-
ლეობდა ა. ვესპუჩი, მიაღწია გვიანის ნა-
პირს დაახლ. ჩ. გ. 5—6°-მდე, შემდეგ იცუ-
რა კონტინენტის ნაპირის გასწვრივ დ. გ.
72°-მდე, შემოუარა პარაგუანის ნ.-კ-ს. და
სამხრ-ით შეიჭრა ვენესუელის ყურეში,
მარაკაიბოს ტბამდე. 1501 ესპ. რ. ბასტი-
დასმა შემოუარა გუახირის ნ.-კ-ს, აღმოაჩი-
ნა მდ. მაგდალენის შესართავი და მიაღ-
წია ურაბის ყურეს, რითაც დაამთავრა კო-
ლუმბის მიერ დაწყებული ს. ა-ის მთელი
ჩრდ. ნაპირის აღმოჩენა.

ჩრდ.-აღმ. — ბრაზილიურ — ნაპირს ს.
გ. 6°-თან პირველად ესპ. ვ. პინსონმა მიაღ-
წია 1500. შემდეგ ის გაემართა ჩრდ.-დას-
კენ, ჩაუარა ნაპირს გვინეამდე, გზად აღ-
მოაჩინა მდ. ამაზონის დელტის სამხრ. ტო-
ტი და კ. მარაჟოზე გადავიდა. 1500 ესპ.
დ. ლეპე გაუყვა ბრაზ. ნაპირს ს. გ. 6-იდან
10°-მდე. 1501—02 პორტუგ. ექსპედიციამ,
რ-შიც ალბათ ვესპუჩიც მონაწილეობდა,
გამოიკვლია ბრაზ. სანაპირო ს. გ. 5-იდან
25°-მდე, აღმოაჩინა მდ. სან-ფრანსისკუს
შესართავი და გუანაბარის (რიო-დე-ჟა-
ნეიროს) უბე. 1507 ჰოლანდ. გეოგრაფმა მ.
ვალდზემიულერმა წამოაყენა წინადადება
ახლად აღმოჩენილი სამხრ. კონტინენტი-
სათვის ამერიგო ვესპუჩის პატივსაცემად
ამერიკა ეწოდებინათ. 1515—16 ხ. სოლის-
მა გაიარა ს. ა-ის აღმ. ნაპირი ს. გ. 25-
იდან 35°-მდე, აღმოაჩინა ლა-პლატის ყუ-
რე და მდ-ების ურუგვაისა და პარანის
ქვემოთები. 1520 ფ. მაგელანმა მიაღწია
ს. გ. 52°-მდე, აღმოაჩინა ს. ა-ის პატაგო-
ნიის ნაპირები, მისი ყველა ყურე, კ.
ცეცხლოვანი მიწის ჩრდ. სანაპირო და
სრუტით (შემდგომ ეწოდა მაგელანის სა-
ხელი) გავიდა წყნარ ოკეანეში. 1520-თვის
აღმოჩენილი იყო ს. ა-ის ყველა კარიბული
და ატლანტიკური ნაპირი და მისი ყველა
დიდი მდინარის შესართავი.

ს. ა-ის წყნაროკეანური სანაპირო 1522—
58 აღმოაჩინეს ესპ. საზღვ. ექსპედიცი-
ებმა. 1522 პ. ანდაგოია გაუყვა ს. ა-ის
ჩრდ.-დას. ნაპირს ჩ. გ. 4°-მდე. 1526—27
ფ. პისარომ მოიხილა სანაპირო ს. გ. 8°-
მდე, გზად აღმოაჩინა გუაიაკილის ყურე,
საიდანაც 1532 დაიწყო პერუს დაპყრობა.
ქვეყნის დაპყრობისა და ქ. ლიმის დაარ-
სების (1535) შემდეგ ესპ. მეზღვაურები
გაეცნენ სანაპიროს დაახლ. ს. გ. 12°-მდე,
ხოლო დ. ალმაგროს (1535—37) და პ.
ვალდივიას (1540—52) ჩილეში ლაშქ-
რობების შემდეგ — ს. გ. 40°-მდე. 1558
ხ. ლადრილიერომ ს. გ. 44 და 47° შორის
აღმოაჩინა ჩონოსის არქ. და ტაიტაოს ნ.-
კ., ხოლო პ. სარმიენტო დე გამბოამ 1579—
80 — კ-ების მთელი რიგი ს. გ. 47 და 52°
შორის. 1616 ჰოლანდ. ი. ლემერმა და ვ.
სხაუტენმა აღმოაჩინეს ჰორნის კონცხი
(ს. გ. 56°) და გარს შემოუარეს მას. 1592
ინგლ. ჯ. დეივისმა ატლანტის ოკეანეში
ს. გ. 52°-თან აღმოაჩინა „ქალწულის
მიწა", რ. ჰოკინზმა 1594 აღწერა მისი
ჩრდ. ნაპირი და იგი ერთიან ხმელეთად
მიიჩნია, ხოლო ჯ. სტრონგმა დაადგინა,
რომ იგი იყოფა ორ დიდ და მრავალ
წვრილ კუნძულად, რ-თაც ფოლკლენდის
კ-ები უწოდა (1690). „ოქროს ქვეყნის —
ელდორადოს" ძებნაში ესპანელებმა (დ.
ორდასი, პ. ერედია, გ. კესადა, ს. ბელალ-
კასარი) და გერმ. ბანკირთა აგენტებმა
(ა. ეჰინგერი, ნ. ფედერმანი, გ. ჰოერმუ-

თი, ფ. პუტენი). რ-ებმაც 1528 კარლ V-გან მიიღეს კარიბის ზღვის სამხრ. ნაპირების კოლონიზაციის პატენტი, 1529—46 აღმოაჩინეს და ყველა მიმართულებით გადაკვეთეს ჩრდ.-დას. ანდები და ლიანოს-ორინოკო, გაუყვნენ ორინოკოს, აგრეთვე მაგდალენისა და კაუკის ყველა მარცხ. დიდი შენაკადის დინებას. 1541—42 ფ. პისარო მდ. ნაპოთი დაეშვა ამაზონის დაბლობზე, ხოლო ფ. ორელიანის რაზმი, რ-იც მას გამოეყო, 1541 ამაზონით ზღვამდე დაეშვა და პირველმა გადაკვეთა ს. ა. 1527—48 ლა-პლატის აუზში აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს (ს. კაბოტი, პ. მენდოსა, ხ. აიოლასი, ა. კაესა დე ვაკა, დ. ირალა) პარანა-პარაგვაის სისტემის რამდენიმე დიდი მდინარე და გადაკვეთეს გრან-ჩაკო. მდ. ამაზონის შენაკადების ქვემოთები 1637—39 აღმოაჩინა პ. ტეიშეირა—ბ. აკოშტას პორტუგ. ექსპედიციამ, რ-იც ქ. პარიდან ეკვატორულ ანდებამდე ავიდა და მდინარით უკან გამობრუნდა. XVI ს. II ნახ. და XVII—XVIII სს-ში პორტუგ. მეტისებმა ინდიელი მონების, ოქროსა და ძვირფასი ქვების ხელში ჩაგდების მიზნით ყველა მიმართულებით მრავალგზის გადაკვეთეს ბრაზ. ზეგანი და გაუყვნენ შუა და ქვემო ამაზონის ყველა დიდი შენაკადის დინებას. XVII ს. I ნახ. — XVIII ს-ში ზემო ამაზონის სისტემას იკვლევდნენ უმთავრესად იეზუიტი მისიონერები, მ. შ. ჩეხი პ. ს. ფრიცი.

ს. ა-ის პირველი მეცნ. მკვლევრები იყვნენ მერიდიანის რკალის შემსწავლელი ეკვატორული ექსპედიციის (1736 — 43, ხელმძღვანელები შ. კონდამინი და პ. ბუგერი) ფრანგი მონაწილენი. კოლონ. პერიოდის დასასრულისთვის ჩატარდა ლა-პლატის აუზის (ესპ. ფ. ასარა) და მდ. ორინოკოს აუზის (გერმ. ა. ჰუმბოლდტი და ფრანგი ე. ბონპლანი) კომპლ. მეცნ. კვლევა. ს. ა-ის ზუსტი მოხაზულობა დაადგინა უმთავრესად XIX ს. II ნახ. ინგლ. ექსპედიციამ (ფ. კინგი და რ. ფიცროი). XIX—XX სს-ში გაძლიერდა ბრაზ. ზეგნისა და ამაზონის დაბლობის კვლევა, რ-შიც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. 1835—44 გვიანის ზეგანსა და ორინოკოს აუზს იკვლევდნენ ინგლ. სამსახურში მყოფი გერმ. ძმები რობერტ და რიჩარდ შომბურგკები, 1860—72 — ინგლ. სამსახურში მყოფი პოლ. კ. აპუნი, 1877—89 — ფრანგები ჟ. კრევო, ა. კუდრო, ჟ. შაფანჟონი. ამ უკანასკნელმა 1887 აღმოაჩინა მდ. ორინოკოს სათავე. ლა-პლატის აუზს სწავლობდნენ ამერ. ჰიდროგრაფი ტ. პეიჯი(1853—56)და არგენტ. ტოპოგრაფი ლ. ფონტანა (1875—81). ჩრდ. და ეკვატორულ ანდებს იკვლევდნენ ფრანგი ჟ. ბუსენგო (1822—28), გერმ. გეოლოგები ა. შტიუბელი და ვ. რაისი (1868—74), ინგლ. ტოპოგრაფი ფ. საიმონზი (1878—80 და 1884), გერმ. გეოგრაფები ა. ჰეტნერი (1882—84) და ვ. სიევერსი, რ-მაც გამოიკვლია უმთავრესად კორდილიერა-მერიდის და სიერა-დე-პერიხის ქედები (1884—86) და კარიბის ანდები (1892—93). ცენტრ. ანდები გამოიკვლიეს ნატურალისტებმა გერმ. ე. პეპიგმა (1829—31) და ფრანგმა ა. ორბინიმ (1830—33). 1851—69 პერუს ანდები და ლა-მონტანიას მხარე შეისწავლა და აგეგმა პერუს სამსახურში მყოფმა იტალ. გეოგრაფმა და ტოპოგრაფმა ა. რაიმონდიმ. სამხრ. ანდებს — ჩილე-არგენტ. კორდილიერებსა და პატაგონიის ანდებს — სწავლობდნენ ჩილეში მცხოვრები ევროპელები: პოლ. ი. დომეიკო (1839—44), ფრანგი ე. პისი (1849—75), გერმ. ბოტანიკოსი რ. ფილიპი (1853—54). არგენტინაში ინგლ. ჯ. მასტერზმა სამხრ-იდან ჩრდ-კენ გადაკვეთა მთელი პატაგონია და საფუძველი ჩაუყარა მდ. ჩუბუტის აუზის შესწავლას (1869—70). შემდეგ თავი გამოიჩინეს არგენტ. ტოპოგრაფებმა ფ. მორენომ (1874—97), ჯ. მოიანომ (1877—81), ლ. ფონტანამ (1886—88 დაამთავრა მდ. ჩუბუტის აუზის კვლევა).

ს. ა-ის კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რუს მეცნიერებსა და მოგზაურებს: ა. იონინს (1883—92), ცეცხლოვანი მიწის მკვლევარს, ბოტანიკოს ნ. ალბოვს (1895—96), ეთნოგრაფ გ. მანიზერს (1914—15), ბოტანიკოსსა და გეოგრაფ ნ. ვავილოვს (1930, 1932—33). იხ. აგრეთვე სტ. *გეოგრაფიული აღმოჩენები*, ქვეთავი — ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა.

IV. მოსახლეობა

ს. ა-ის თანამედროვე მოსახლეობა ანთროპოლოგიურად ჭრელია. მის შედგენლობაში შედიან ა მ ე რ ი კ უ ლ ი (ძირითადი მოსახლ. — *ინდიელები*), ე ვ რ ო პ ე ი დ უ ლ ი (ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები), ნ ე გ რ ი ი დ უ ლ ი (აფრიკიდან შემოყვანილ მონათა შთამომავლები) რასის წარმომადგენლები და მრავალრიცხოვანი შერეული ჯგუფები — *მეტისები, მულატები, სამბო*.

ევროპელთა გამოჩენამდე (XV ს. დასასრ.) ს. ა-ში ცხოვრობდა სხვადასხვა ინდიელი ტომი და ხალხი. მოსახლ. განსახლებული იყო არათანაბრად: მჭიდროდ იყო დასახლებული ცენტრ. ანდების ხეობები, მეჩხრად — ამაზონის აუზის დაბლობი. უფრო განვითარებულმა მთის მოსახლეობამ (წარმოქმედმა ხალხმა შექმნეს ადრინდ. კლასობრივი სახელმწიფო (ტაუანტინსუიუ) ან იდგნენ კლასობრივი საზ-ბის გარდამავალ საფეხურზე (მუისკები). ევრ. დამპყრობთა (ესპანელები, პორტუგალიელები) მოსვლამ ძირეულად შეცვალა კონტინენტის ეთნ. სტრუქტურა. გამანადგურებელმა კოლონ. ომებმა და ექსპლუატაციამ გამოიწვია ს. ა-ის ინდიელი ხალხის შემცირება. კოლონიზაციას მოჰყვა აგრეთვე ესპაიელებისა და პორტუგალიელების ინტენს. აღრევა ინდიელ მოსახლეობასთან. ს. ა-ში ზანგების გამოჩენა (XVI ს-იდან) განპირობებული იყო კოლონ. ეკონ. აუცილებლობით. ათასობით აფრ. მონა შემოიყვანეს პერუს მაღაროებსა, ენერგულისა და ბრაზ. შაქრის ლერწმის პლანტაციებში სამუშაოდ. ჩამოყალიბდა ევროპულ-ზანგური და ზანგურ-ინდიური წარმოშობის მოსახლეობა. XIX ს-ში კოლონიზატორების მიერ ათვისებულ რ-ნებში ახ. ეთნოსები წარმოიშვა.

ს. ა-ის თანამედროვე მოსახლ. უმრავლესობა ინდიურ-ევროპული წარმოშობისაა, კონტინენტის ჩრდ.-აღმ-ში კი ჭარბობს ზანგურ-ევროპული. რიგ ქვეყნებში შემორჩნენ მრავალრიცხოვანი ინდიელი ხალხები: კეჩუა — პერუში, ბოლივიასა და ეკვადორში, აიმარა — ბოლივიაში,- არაუკანები — ჩილეში. თითქმის ყველა სახელმწიფოს განაპირა რ-ნებში (ჩრდ. არგენტინა, ბრაზილია, ჩრდ.-დას. კოლუმბია და სხვ.) გვხვდება აგრეთვე მცირერიცხოვანი ინდიელი ტომები და ხალხები, რ-ებიც თავ-თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ.

ს. ა-ის სახელმწიფოთა უმრავლესობის ოფიც. ენაა ესპანური, ბრაზილიაში — პორტუგალიური. ინდიელთა ენებიდან მეორე სახელმწიფო ენად ითვლება მხოლოდ კეჩუა — პერუში. პარაგვაიში მოსახლ. უმრავლესობა იყენებს გუარანი ენას და ესპანურსაც. გაიანაში, ტრინიდადსა და ტობაგოში ოფიც. ენაა ინგლისური, სურინამში — ჰოლანდიური, საფრ. გვიანაში — ფრანგული. მოსახლ. უმრავლესობა კათოლიკეა. ინდიელებთან შემორჩენილია წინაქრისტ. რწმენათა გადმონაშთები, ზანგთა შორის — აფრ. კულტები.

V. პოლიტიკური დაყოფა

ს. ა-ის ტერიტ. კოლონიზაცია XV ს. დასასრ. — XVI ს. დასაწყისში დაიწყო და ძირითადად დამთავრდა XVII ს-ში. XVIII ს. დასაწყისისათვის კონტინენტ უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა ესპანეთ პორტუგალია დაეუფლა თანამედრო ბრაზ. თითქმის მთელ ტერიტორიას, ა-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილი ერთმანეთში გ ყველ დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა ჰოლანდიამ. კოლონიზაციას თან სდევ მკვიდრი მოსახლ. სასტიკი ექსპლუატაც მისი მასობრივი ულეტა, მაღაროთა მ ცებლური დამუშავება. მეტროპოლიებ პოლიტიკა, რ-იც ამუხრუჭებდა საწარმ ძალთა განვითარებას, ზღუდავდა მა ფაქტურის შექმნას, ვაჭრობას, კრძალავ მთელი რიგი სას.-სამ. კულტურების მ ვანას და სხვ., იწვევდა კოლონიზატორ წინააღმდეგ მიმართულ ხშირ აჯანყებებ ამერ. ესპ. კოლონიებში დამოუკიდებლ ბისათვის ომმა (1810—26) ბოლო მოუ ესპ. კოლონ. ბატონობას. ესპ. ყველა ა ლონიამ მოიპოვა პოლიტ. დამოუკიდ ლობა, შეიქმნა სახელმწიფოები (ფრჩ ლებში მოცემულია დამოუკიდებლობ ოფიც. გამოცხადების თარიღი): არგ ტინა (1816), ბოლივია (1825), ეკვად რი (1809), ვენესუელა (1811), კოლ ბია (1810), პარაგვაი (1811), პე (1821), ურუგვაი (1825), ჩილე (181 1822 ბრაზილია განთავისუფლ პორტუგ. ბატონობისაგან. მოგვიანებ ს. ა-ის სახელმწიფოები მაინც მოექც იმპერიალ. სახელმწიფოების, განსაკუ რებით დიდი ბრიტ. და აშშ-ის ფინან ეკონ. დამოკიდებულებაში. I მსოფლ ომის (1914—18) შემდეგ გაძლიერდა ა ის კაპიტალის შეჭრა და მალე მან გად წყვეტი პოზიცია დაიკავა ს. ა-ის ქვეყ ბის ეკონომიკაში. კუბის რევ. გამარჯვებ და კუბაში სოციალ. წესწყობილების დამ რებამ ხელი შეუწყო ლათინურ ამერიკა ანტიიმპერიალ. რევ. მოძრაობის აღმავლ ბას. 1960—70-იან წლებში კოლონ. დამოკ დებულებისაგან განთავისუფლდნენ იამაი ტრინიდადი და ტობაგო, გაიანა, ბარ დოსი, ბაჰამის კ-ები, გრენადა. მთელ რიგი ქვეყნების (პერუ 1968-იდან, ჩი 1970—73, ეკვადორი 1972-იდან) მთა რობებმა დაიწყეს ანტიიმპერიალ., ან ოლიგარქიული ხასიათის ღონისძიება გატარება. 1975 ნიდერლანდისაგან დამ უკიდებლობა გამოაცხადა სურინამმა. და რილებით ს. ა-ის ქვეყნებში მიმდინა ისტ. პროცესების შესახებ იხ. სტატია *ლათინური ამერიკა*.

ლიტ.: Климаты Южной Америки, 1977; Лукашова Е. Н., Южная Америка, М., 1958; Магидович И. П. История открытия и исследования Центральной и Южной Америки, М., 1965; Южная Америка, М., 1983 (из серии «Страны и народы мира»).

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი I—II, გვ. 32—33. რუკა — იხ. ჩანართი I, გვ. 160—161. II—192.

სამხრეთი აფრიკა, ბუნებრივი მხარე აფრიკაში, კონგო-ზამბეზის წყალგამყოფ პლატოს სამხრ-ით; ეკუთვნის აგრეთვე მადაგასკარი და მასკარენის კ-ები. ტერ დიდი ნაწილი უჭირავს კალაჰარის მაღ ვაკეებს, რ-ებიც ციცაბოდ ეშვება ინდ. ატლანტის ოკეანისპირა დაბლობებისაკ უკიდურეს სამხრ-ით არის *კაპის მთები* ჰავა ტროპიკულია, პასატური, მეტწილ მშრალი; სამხრ. ნაწილში — სუბტროპ კული. დიდი მდ-ებია: ლიმპოპო, ზამბეზ ორანჟი, კუნენე. გავრცელებულია მშრ ლი ფოთოლმცვივანი ნათელი ტყეები, სა ნა და უდაბნოები, სამხრ. ნაწილში — სუ ტროპ. მარადმწვანე ტყეები. ს. ა-ის საზ ვრებში მთლიანად ან ნაწილობრივ მოქც ულია სამხრ. აფრიკის რესპუბლიკა, ნა ბია, ზიმბაბვე, სვაზილენდი, ლესოთ ბოტსვანა, ანგოლა, ზამბია, მოზამბიკ მალავი, კ-ებზე — მადაგასკარი და მ რიკი.

სამხრეთი დაკოტა (South Dakota შტატი აშშ-ის ცენტრ. ნაწილში. ფარ 199,5 ათ. *კმ*². მოსახლ. 690 ათ. კა

980), აქედან დაახლ. 45% ქალაქში ოვრობს. ადმ. ც. — ქ. პირი. ს. დ-ის ფრიტ. მოქცეულია ცენტრალური (აღმ-ი) და დიდი (დას-ით) ვაკეების ფარგ-ებში, სიმაღლე 300-იდან 1000 *მ*-მდე აქს. — 2207 *მ*). ჰავა ზომიერი კონტი-ნტურია. ნალექები 350—500 *მმ* წელი-დში. შტატის ტერიტორიაზე მიედინება ე. მისური.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ., რ-ის საქონლო პროდუქციის 75%-ზე მეტს იძ-ევა მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ორი, ცხვარი). მოჰყავთ ხორბალი (დას-ი), სიმინდი (სამხრ.-აღმ-ით), შვრია, რი, საკვები ბალახი. იღებენ ოქროს (I ნგილი აშშ-ში), ურანის მადანს. კვების ეწვ., სას.-სამ. იარაღის წარმოება.

ამხრეთი კაროლინა (South Caroli-), შტატი აშშ-ის ატლანტიკური სანა-როს სამხრ. ნაწილში. ფართ. 80,4 ა. *კმ*². მოსახლ. 3,1 მლნ. კაცი (1980), ედან დაახლ. 50% ქალაქში ცხოვრობს. ძმ. ც. — ქ. კოლუმბია. შტატის სამხრ.-ძმ. ნაწილი უჭირავს ატლანტისპირა დაბ-ობს, ჩრდ.-დას. — პიდმონტის პლატოს ა აპალაჩების შტოქედებს (სიმაღლე 863 *მ*-მდე). ჰავა ნოტიო სუბტროპიკუ-ია. ნალექები 1000—1200 *მმ* წელიწად-ი. მთავარი მდ-ებია სავან'ა და სანტი.

ს. ჰ. ინდუსტრ.-აგრ. შტატია. მრეწვ. ავარი დარგია საფეიქრო ნრეწვ., გან-კუთრებით ბამბის ქსოვილების (I ადგი-ი აშშ-ში) და ქიმ. ბოჭკოსაგან დამზა-ებული ქსოვილების წარმოება. განვითა-ებულია ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ხის ასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, კვების ეწვ., ქიმ. სასუქების წარმოება, ლითონ-ამუშავება, გემთმშენებლობა, ატომური ენერგეტიკა. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის 60%-ზე მეტს იძლევა მიწათ-ქმედება. მოჰყავთ ბამბა, თამბაქო, ბრინჯი, სიმინდი, ბოსტნეული. აშენებენ ხვ. რქ. საქონელსა და ღორს. მთავარი ვესადგურია ჩარლსტონი.

ამხრეთი კარპატები, ტ რ ა ნ ს ი ლ ა ნ ი ი ს ა ლ პ ე ბ ი (Carpaţii Meri-onali), კარპატების ნაწილი რუმინეთში, ედიალის ულელტეხილსა და დუნაის ჯინის ჭიშკარს შორის. სიგრძე დაახლ. 0 *კმ*. შედგება გრანიტებითა და გნაი-ებით, აგრეთვე კირქვებითა და ქვიშა-ებით აგებული მაღალმთიანი მასივები-გან. მაღალ მწვერვალებზე ალპ. რელი-ვის ფორმებია. სიმაღლე 2543 *მ*-მდე (მთა ელდოვიანუ). დასერილია ჟიუს, ოლტის, ირნის ხეობებით. სვისმურია. 900—1000 მდე შემოსილია წიფლნარითა და მუხ-რით, 1700 *მ*-მდე უმთავრესად წიწვნა-ია, ზევით — სუბალპ. და ალპ. მდელო-ი. ნავთობის, ქვანახშირის, სუფრის მა-ილის საბადოები. კურორტები.

ამხრეთი კუნძული (South Island), ალი ზელანდიის უდიდესი კუნძული. ართ. 150,5 ათ. *კმ*². ჩრდ.-დან გამოყოფი-ია კუკის სრუტით. კუნძულის მთელ სი-რძ'ზე გადაჭიმულია *სამხრეთი ალპები*, -ზეც აღმართულია ახალი ზელანდიის ჰაღლესი მწვერვალი კუკის მთა (3764). აღმ-ით მდებარეობს კენტერბერის ვა-ი, სამხრ.-დას-ით — საუთლენდის დაბ-ობი და ოტაგოს პლატო. ჰავა სუბტრო-კულია, ზღვისა, უკიდურეს სამხრ. ნა-ილში — ზომიერი. მთავარი ქალაქია ჩაისტჩერჩი.

ამხრეთი პოლუსი, წერტილი, სა-აც დედამიწის ბრუნვის წარმოსახვითი ერძი კვეთს მის ზედაპირს სამხრ. ნახე-რსფეროში. დედამიწის ზედაპირის ნე-სმიერი სხვა წერტილი ს. პ-ის მიმართ ველთვის ჩრდ-ით მდებარეობს. ს. პ. ტარქტიდის კონტინენტზეა, წყნაროკეა-ური სანაპიროს მახლობლად, 2800 *მ* მაღლეზე. ყინულის სისქე ს. პ-ის -ნში 2810 *მ* აღწევს. ჰაერის საშ. წლ. 957—61 პერიოდში) ტემპ-რა — 48,6°C ბაქს. —14,7°C, მინ. —78,9°C). პოლა-რული ღღე დაახლ. 179 ღღ-ღ გრძელდე-ბა, 23 სექტ-იდან 20—21 მარტამდე (რეფ-რაქციის გაუთვალისწინებლად).

სამხრეთი როდეზია (Southern Rhodesia), 1980 აპრ-იდან — ზიმბაბვე (ქვე-მოთ იხსენიება ამ ოფიც. სახელწოდებით), ზ ი მ ბ ა ბ ვ ე ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (Republic of Zimbabwe), სახელმწიფო სამხრ. აფრიკაში. შედის *ერთა თანამეგობრობა-ში*. ფართ. 390,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 7,5 მლნ. კაცი (1982). დედაქალაქი — ჰარარე (ყოფ. სოლზბერი). ოფიც. ენა — ინგლი-სური. ეროვნ. დღესასწაულია 18 აპრ. — დამოუკიდებლობის დღე (1980). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია ზიმბაბვეს დოლარი. 1 ზიმ-ბაბვეს დოლ. =1,05 აშშ-ის დოლარს (1982). ადმინისტრაციულად ზ. იყოფა 8 პროვინციად.

ზ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1979 კონს-ტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი, რ-იც შედგება სენატისა და კრების პალატისაგან. პარ-ლამენტს ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაური და ქვეყნის შეიარა-ღებული ძალების მთავარსარდალია პრეზი-დენტი (პარლამენტის წევრები ირჩევენ 6 წლის ვადით). აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, რ-ის რეკომენდაციით ნიშნავენ მინისტრებს.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ზ-ს თითქმის მთელი ტერიტ. მატაბელესა და მაშონის ზვენებს (საშ. სი-მაღლე 800—1500 *მ*) უჭირავს. უმაღლესი წერტილია მთა ინიანგანი (2596 *მ*). ჩრდ-ით პლატო საფეხურებად ეშვება ზამბეზის ხეობისაკენ, სამხრ-ით თანდათანობით დაბ-ლდება ლიმპოპოს ხეობისაკენ. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ქრომიტები, ოქროს, პლატინის, ტანტალიტ-ბერილიუ-მის, სპილენძის, ნიკელის მადანი, ქვანახ-შირი, მაგნეტიტი, აზბესტი.

ჰავა ქვეყნის ჩრდ. ნახევარში სუბეკვა-ტორულია, სამხრ-ში — ტროპიკული. ოქტ. საშ. ტემპ-რაა 21—27°C, ივლ. 17°C. ნალექები 300—750 *მმ*-იდან (სამხრ. დას-ით) 1250 *მმ*-მდე (აღმ-ით) წელიწად-ში. მდ-ები განეკუთვნება ზამბეზისა და ლიმპოპოს აუზებს. აღმ-ით მიედინება მდ. საბი (ერთვის ინდ. ოკეანეს). მდ. ზამბე-ზის შუა დინებაში არის ქვეყნის უდიდესი წყალსაცავი კარიბა.

პლატოზე უმთავრესად სავანის ნათელი ტყეები და ყავისფერ-წითელი ნიადაგია. სამხრ.-დას-ით გაუდაბნოებული სავანაა. ინიანგანის მთის აღმ. კალთები დაფა-რულია ნოტიო მარადმწვანე ტყითა და მთის მდელოებით. ბინადრობს ანტილო-პები, აფრ. კამეჩი, ჟირაფი, ზებრა, ჯიქი, აფთარი. ბევრია ფრინველი, ხვლი-კი, გველი (მ. შ. აფრ. პითონი). ბევრ-ნში გავრცელებულია ბუზი ცეცე. შემმ-ნილია ეროვნ. პარკები.

მოსახლეობა. მოსახლ. 95%-ს შეადგენს აფრ. ხალხები: მაშონა, მატაბელე, მალა-ვი, ტსონგა, ბავენდა, ბაპედი (პედი), ბეჩუანები. ცხოვრობენ აგრეთვე ევროპე-ლები (5%-მდე), მცირე რაოდენობით — ინდოელები. აფრიკელთა უმრავლესობა ტრად. რწმენების მიმდევარია, არიან ქრის-ტიანებიც (პროტესტანტები და კათოლი-კეები).

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 35% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 19 კაცი 1 *კმ*²-ზე (1982). მოსახლ. დაახლ. 20% ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია ჰა-რარე (656 ათ. მცხ., 1982) და ბულა-ვაიო.

ისტორიული ნარკვევი. ქვეყნის ტერი-ტორიაზე ადამიანის პირველი ნამოსახ-ლარები პალეოლითის ხანას მიეკუთვნება. XIV ს-ში ზ-ს ტერიტორიაზე შეიქმნა მო-ნომოტაპას სახელმწიფო. XIX ს. შუა წლებ-ში ქვეყნის დიდი ნაწილი სამხრ. აფრიკიდან მოსული *მატაბელეს* ტომების უმაღლესი ბელადის ხელისუფლებაში გაერთიანდა.

XIX ს. ბოლოს *ბრიტანეთის სამხრეთ აფრიკის კომპანიამ* ს. *როუდზის* (აქედან ძვ. სახელწ. როდეზია) მეთაურობით ხელში ჩაიგდო ზ. და ჩრდ. როდეზიის (იხ. *ზამ-ბია*) ტერიტორია, რ-საც 1923—24-მდე მართავდა. მოსახლ. (განსაკუთრებით მა-ტაბელე და მაშონა) შეიარაღებულ წი-ნააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს (1893 ომი; 1896—97 აჯანყება). მათ ნა-ყოფიერ მიწებს ართმევდნენ და რეზერვა-ტებში ასახლებდნენ.

1923 ზ-მ თვითმმართველი კოლონიის სტატუსი მიიღო (სამხრეთ როდეზიის სა-ხელწოდებით). იმავე წელს მიიღეს პირვე-ლი კონსტიტუცია, რ-ითაც ფორმალურად გამოცხადებული საყოველთაო საარჩევნო უფლება შეზღუდული იყო მაღალი ქონებ-რივი და განათლების ცენზებით, რაც პრა-ქტიკულად აფრიკელებს არჩევნებში მონა-წილეობის შესაძლებლობას ართმევდა.

ცენტრ. აფრიკაში იწყებ. კოლონია-ლიზმის პოზიციების განსამტკიცებლად ბრიტ. მთავრობამ 1953 გააერთიანა ზ., ჩრდ. როდეზია და ნიასალენდი (იხ. *მა-ლავი*) და შექმნა როდეზიისა და ნიასა-ლენდის ფედერაცია (გაუქმდა 1963). II მსოფლიო ომის (1939—45) წინ დაარსდა აფრ. ეროვნ. კონგრესი (აკკ); მის ბაზაზე (1960) — ეროვნ.-დემოკრ. პარტია (ედპ.) ამ უკანასკნელის ბაზაზე შეიქმნა პარტია— ზიმბაბვეს აფრ. ხალხების კავშირი (ზა-პუ, 1961), რ-იც აკრძალვის (1962) შემ-დეგ იატაკქვეშეთში გადავიდა და რასის-ტული რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებუ-ლი აჯანყების კურსს დაადგა. იგივე კურსი აირჩია პარტია ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნულმა კავშირმა (ზანუ, 1963), რ-იც ზაპუს გათიშვის შედეგად წარმოიშვა.

1965 წ. 11 ნოემბ. სამხრ. როდეზიის მთავრობამ ი. სმითის მეთაურობით ცალ-მხრივი წესით გამოაცხადა ზ-ს დამოუკი-დებლობა. დიდი ბრიტ. მთავრობამ არ ცნო ზ-ს დამოუკიდებლობა. გაეროს უშიშ-როების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ზ-ს წინააღმდეგ ეკონ. სანქციების გამოყე-ნების შესახებ. მაგრამ დასავლეთის ბევრი სახელმწიფო არღვევდა ამ გადაწყვეტი-ლებას, სამხრ. აფრ. რესპ. და ფაშისტური პორტუგ. მთავრობები კი საერთოდ არ ცნობდნენ მას.

სამხრეთ ამერიკის პოლიტიკური დაყოფა

სახელმწიფო და ქვეყანა	ფართობი, ათ. *კმ*²	მოსახლეობა, მლნ. კაცი (1980, შეფასება)	დედაქალაქი ან ადმ. ცენტრი
	დამოუკიდებელი სახელმწიფოები		
არგენტინა . .	2776,9	27,8	ბუენოს-აირესი
ბოლივია . .	1098,6	5,6	ლა-პასი (ოფიციალურად სუკრე)
ბრაზილია . .	8512	122	ბრაზილია
გაიანა . . .	215	0,85	ჯორჯტაუნი
ეკვადორი . .	283,6	8,64*	კიტო
ვენესუელა . .	912	14,6*	კარაკასი
კოლუმბია . .	1138,9	27	ბოგოტა
პარაგვაი . .	406,8	3,2	ასუნსიონი
პერუ	1285,2	17,76*	ლიმა
სურინამი . .	163,3	0,38	პარამარიბო
ურუგვაი . . .	186,9	2,91	მონტევიდეო
ჩილე	756,9	11,2	სანტიაგო
	კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სამფლობელოები		
ფოლკლენდის (მალვინის) კ-ები**	12,2	0,002	პორტ-სტენლი
	საფრანგეთის სამფლობელო		
საფრანგეთის გვიანა	91	0,064	კაიენა

*1981, შეფასება

**დიდი ბრიტანეთისა და არგენტინის სადავო ტერიტორია.

1976 ოქტ. ზაპუმ და ზანუმ დადეს შეთანხმება ზ-ს პატრ. ფრონტის (პფ) შექმნის შესახებ (ლიდერები ჯ. ნკომო და რ. მუგაბე), 1977 აფრ. ერთობის ორგანიზაციამ პფ ზ-ს ერთადერთ ეროვნ.-განმათ. ორგანიზაციად აღიარა. პფ-მა სამხ. მოქმედება რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტ ფორმად გამოაცხადა. ეროვნ.-განმათ. ბრძოლის გაძლიერებამ და პატრიოტების ერთიანი ფრონტის შექმნამ აიძულა რასისტები ქვეყანაში მარიონეტული რეჟიმის დამყარება ეცადათ. ამ მიზნით 1979 აპრილში ჩატარდა პარლამენტის „არჩევნები“ და შეიქმნა მთავრობა აფრიკელი ა. მუზორევას მეთაურობით. რასისტების ეს მოქმედება გაკიცხა გაეროს უშიშროების საბჭომ, ხოლო მუზორევას მთავრობა არ ცნო მსოფლიოს არც ერთმა სახელმწიფომ, სამხრ.-აფრ. რესპ. გარდა. 1979 სექტ.—დეკ. ლონდონში ბრიტ. მთავრობისა და სმით-მუზორევას რეჟიმის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ ზ-ს პფ-ის ხელმძღვანელობასთან დაედოთ შეთანხმება ზ-ში არსებული მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. 1980 თებ-ში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რ-ზეც გაიმარჯვეს პფ-ში შემავალმა პარტიებმა. ზ-ს აფრ. ეროვნ. კავშირის ლიდერმა რ. მუგაბემ შექმნა მთავრობა. 1980 წ. 18 აპრ. გამოცხადდა დამოუკიდებლობა და ქვეყანას ეწოდა ზ-ს რესპუბლიკა.

რ. მუგაბეს მთავრობამ შედარებით მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოც.-ეკონ. ცხოვრებაში. სახელმწიფოს ხელში გადავიდა ძირითადი სამრეწვ. ობიექტები. მთავრობა ატარებს უცხ. კომპანიების თანდათანობით ნაციონალიზაციას. მუგაბეს განზრახვამ ერთპარტიული სისტემის შემოღების შესახებ გაამწვავა კონფლიქტი ზანუსა და ზაპუს შორის. კოალიც. მთავრობიდან გამოიყვანეს ზაპუს ლიდერი ჯ. ნკომო. მთავრობის კოალიციამ (ზანუ—პფდაზაპუ—პფ) ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. 1984 აგვ. ჩატარდა ზანუ—პფ-ის II ყრილობა, მიიღეს წესდება, რ-მაც განამტკიცა ქვეყნის სოციალ. არჩევანი და სოციალ. საფუძველზე ეკონომიკის გარდაქმნის პროგრამა განსაზღვრა.

ეკონომიკა. ზ. აგრ.-ინდუსტრ. ქვეყანაა. მთლიანი შიგა პროდუქტის 26,5%-ს იძლევა (1981) დამუშავებითი მრეწვ., 17,8%-ს — სოფ. მეურნ., 5,2%-ს — სამთომოპოვებითი მრეწვ., 9,3%-ს — ტრანსპ. და კომუნიკაციები. ქვეყნის ეკონ. 70%-ს აკონტროლებს უცხოეთის კაპიტალი.

სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის 80%-ს იძლევა ევროპელთა ფერმერული მეურნეობები. მოჰყავთ (ათ. ტ, 1981): სიმინდი — 2814, ხორბალი — 200, თამბაქო — 70, ბამბა — 60, სოია — 94, შაქრის ლერწამი — 390. 1981 ზ-ში იყო: მსხვ. რქ. საქონელი — 5 მლნ., ცხვარი და თხა — 2 მლნ., ღორი — 150 ათ.

ეკონ. ერთ-ერთი წამყვანი დარგია სამთომოპოვებითი მრეწვ., რ-ის პროდუქციის 90% საექსპორტოა. იღებენ ქვანახშირს, რკინის მადანს, ქრომიტებს, აზბესტს, სპილენძს, ნიკელს, ოქროს, ვერცხლს. 1981 ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 4,5 მლრდ. *კვტ·სთ*. არის მეტალ., ლითონდასამუშ., ნავთობქიმ., ავტოსაამწყობო, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწვ. საწარმოები. სამრეწვ. საწარმოთა 70% კონცენტრირებულია ქ-ებში ჰარარესა და ბულავაიოში. სამრეწვ. ცენტრებია აგრეთვე კვეკვე, კადომა, მუტარე, გვერუ.

რკინიგზის სიგრძეა 2,6 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა — 78,8 ათ. *კმ*, აქედან 8,5 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია (1981). 1981 ავტოპარკში იყო 200 ათ-ზე მეტი ავტომობილი. ზ. ავიახაზებით უკავშირდება აფრ. და ევრ. ქვეყნებს. მთავარი აეროპორტი ჰარარეს მახლობლადაა:

1981 ექსპორტმა შეადგინა 959,3 მლნ. ზიმბაბვეს დოლ., იმპორტმა—1027,7 მლნ. გააქვთ თამბაქო, ფეროშენადნობები, აზბესტი, ოქრო, ბამბა, აგრეთვე შავი ლითონები, ნიკელი, სპილენძი, სიმინდი, ხორცი, შაქარი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, მინერ. სათბობი, ქიმ. საქონელი, აგრეთვე სამრეწვ. სამომხმარებლო საქონელი და სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: სამხრ. აფრ. რესპ., დიდი ბრიტანეთი, აშშ, გფრ, იაპონია, ზამბია.

განათლება. ზ-ში დაწყ. სკოლა 8-წლიანია (2+3+3), საშ. სკოლა — 6-წლიანი (2+2+2). პირველი 5 წელი სწავლება დედაენაზეა, შემდეგ — ინგლისურზე. პროფმომზადება ხორციელდება სპეც. კოლეჯებსა და სკოლებში არასრული საშ. სკოლის ბაზაზე. 1983 წ. 35 ათ-მდე აფრ. დაწყ. სკოლაში სწავლობდა 850 ათ-მდე მოსწავლე, 145 საშ. სკოლაში — 44 ათ-მდე, 183 დაწყ. სკოლაში ევრ. — 40 ათ-მდე მოსწავლე, 52 საშ. სკოლაში — 29,5 ათ. მოსწავლე. პროფტექ. განათლება განვითარებულია სუსტად. აფრიკელებისთვის იყო 34 პროფ.-ტექ. სასწავლებელი (3,9 ათ. მოსწავლე), ევრ. მოსწავლეებისათვის 3 პროფ.-ტექ. სასწავლებელი (2,4 ათ. მოსწავლე) და ერთი სას.-საშ. სასწავლებელი. ჰარარეშია უნ-ტი (დაარსდა 1955), რამდენიმე სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და სხვ.

დიდი ბ-კებია: პარლამენტის (80 ათ. ტ.), უნ-ტისა (243 ათ. ტ.) და სხვ.; მუზეუმები: ზ-ს მუზეუმი ბულავაიოში, სკულპტურულ ძეგლთა მუზეუმი, ეროვნ. გალერეა—ორივე ჰარარეში და სხვ.

ზ-ში გამოდის რამდენიმე დასახელების გაზეთი და ჟურნალი. ეროვნ. საინფორმაციო სააგენტო „ზიმბაბვე ინტერ-აფრიკენ ნიუზ ეიჯენსი“ დაარსდა 1981 ჰარარეში. ზ-ს რადიომაუწყებლობა მუშაობს 1964-იდან, სატელევიზიო კორპორაცია ჰარარეშია.

ხელოვნება. პალეოლითის ხანიდან შემონახულია კლდის მხატვრობა, რ-იც მსოფლიოში პირველადაა შესრულებული „ფანქრებით“ (ბამბატის გამოქვაბული მატოპოს მთებში) — ჰემატიტის წაბლისფერი ჩხირებით. XIX ს-ში აღმოაჩინეს *ზიმბაბვეს*, დჰლო-დჰლოსა და სხვა ქვით ნაგები კომპლექსების არქეოლ. ნაშთები. თანამედროვე დასახლებათა დაგეგმარება წააგავს უძველეს კომპლექსებს (თიხატკეპნილი გალავნით გარშემორტყმული საცხოვრ. და სამეურნეო შენობები). საცხოვრებლად იყენებენ გეგმით მრგვალ, კონუსისებრსახურავიან ქოხებს. XIX ს. დასასრულს გაჩნდა ჭადრაკულად დაგეგმარებული, მცირესართულიანი სახლებით განაშენიანებული ქ-ები. 1950-იანი წლებიდან დას. ევრ. არქიტ. გავლენით აშენებენ ძვირადღირებულ შენობებს. ზ-ს ფერწერის მწვერვალი არიან: ს. სონგო, ჯ. ნდანდარიკა (პეიზაჟი, ჟანრული სცენები); მოქანდაკეები — ტ. დუბე, ბ. მტეკი და სხვ. მხატვრული ხელოსნობის დარგებიდან განვითარებულია ხეზე კვეთა (საყოფაცხოვრებო ნივთები), მეთუნეობა, წვნა.

ზ-ს მუს. კულტურა მოიცავს სამხრ.-აღმ. (მაშონა, მატაბელე, ტსონგა და სხვ.) ცენტრ. და ჩრდ. ბანტუს, აგრეთვე ევრ. წარმოშობის მოსახლ. მუსიკას. საკრავებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია ხუნკიანი საკრავი მბირა. ამ საკრავზე დამკვრელი ვირტუოზები არიან დ. მარეირა, ლ. სუკატაი. მაშონას საგუნდო სიმღერისათვის დამახასიათებელია განვითარებული ეკოკალური პოლიფონია. განსაკუთრებულ როლს თამაშობს პოლიფონია და პოლირიტმია მატაბელეს საგუნდო ხელოვნებაში. XX ს. II ნახევარში, დასავლეთის მასობრივი კულტურის პროდუქციის გავრცელებასთან ერთად, ფოლკლორული ტრადიციები თანდათან სუსტდება. 1968 დაარსდა ხელოვნების საკითხების სა-ბა და მისი განყ-ბა ჰარარეში. ეს ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ საკონცერტო საქმიანობას, უცხოელთა გამოსვლებს. ჰარარეში არის ზ-ს მუსიკოლოგიური (დაარსდა 1948), არსებობს აგრეთვე კვანონგომის სამუს. კოლეჯი ბულავაიოში.

სამხრეთის არხი (Canal du Midi), სანაოსნო არხი საფრანგეთის სამხრ. ნაწილში. ნავსადგურ ბორდოს (ატლანტის ოკ.) აკავშირებს ნავსადგურ სეტთან (ხმელთაშუა ზღვა). იწყება მდ. გარონიდან ქ. ტულუზასთან, გაივლის ნორუზის ჭოროშს, რ-იც ყოფს საფრ. ცენტრ. მასივისა და პირენეების შტოქედებს, გაუყვება ერისა და ფრესკელის ხეობებს, ქ-ებს კარკასონს, ბეზიეს და მიემართება ქ. სეტისაკენ. აგებულია 1666—81. საერთო სიგრძე 241 *კმ*. არხზე 65 რაბია. ტვირთბრუნვა დაახლ. 50 ათ. ტ წელიწადში.


სამხრეთის ბუგი, მდინარე უკრ. სსრ სამხრ.-დას. ნაწილში. სიგრძე 806. *კმ*, აუზის ფართ. 63700 *კმ²*. სათავე აქვს ვოდოლის მაღლობის ჭაობებში, ჩადის შავი ზღვის დნეპრის ლიმანში. შერეულ საზრდოობის მდინარეა, ჭარბობს თოვლის წყალი. წყალდიდობა იცის თებ. ბოლოდან მაისის დასაწყისამდე, წყალმცირეა ივლ-იდან თებ-მდე. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 132 *კმ*-ზე 82 *მ³/წმ*, მაქს.— —5320 *მ³/წმ*, მინ.—2,6 *მ³/წმ*. გაყინულია ნოემბ.-თებ-ში, ყინულძვრაა შუა მარტში. შესართავთან თევზის რეწვას იყენებენ სარწყავად. სანაოსნოა ვინიცის ზემოთ და ქვემოთ და ქ. ვოზნესენსკიდან ს. ბ-ის ნაპირზეა ქ-ები: ხმელნიცკი, ხმელნიკი, ვინიცა, გაივორონი, პერვომაისკი, ვოზნესენსკი, შესართავთან — ნიკოლაევი.

სამხრეთის გვირგვინი (ლათ. Corona Austrina), ცის სამხრეთ ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*; არ შეიცავს 4,0 ვი ზუალურ *ვარსკვლავიერ სიდიდეზე* უფ რო ბრწყინვალე ვარსკვლავებს. დაკვირვებისთვის ხელსაყრელი პირობებია ივნ.-ივლ-ში. ჩანს სსრკ სამხრ. რ-ნებიდან, მ. შ. საქართველოდანაც.

სამხრეთის თევზი (ლათ. Piscis Austrinus), ცის სამხრეთ ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*; ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის (ფომალჰაუტის) ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდე* 1,2-ია. დაკვირვებისათვის ხელსაყრელი პირობებია აგვ-ში. ჩანს სსრკ ცენტრ. და სამხრ.-ნებიდან, მ. შ. საქართველოდანაც.

სამხრეთი სიერა-მადრე (Sierra Madre del Sur), ქედი მექსიკის სამხრ. ნაწილში. გადაჭიმულია წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ 1000 *კმ*-ზე; სიგანე 30 *კმ*-მდე, სიმაღლე 3703 *მ*-მდე (მთა ტეოტეპეკი). უმთავრესად აგებულია მეტამორ

ზიმბაბვე (ეროვნული სამხრეთი როდეზია)



1. ნაშიბია (ოკუპირებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ)

ფული ქანებით, ალაგ-ალაგ ნეოგენური ლავებითა და მეზოზოური დანალექი ქანებით. თხემი დაფარულია წიწვოვან-ხე-შეშფოთლოვანი ტყით, კალთებზე ტროპ. ნათელი ტყეები, ბუჩქნარი და მარადმწვანე ტყეებია; სამხრ. კალთებზე — ტროპ. კულტურების პლანტაციები.

სამხრეთის კვარკენი, სედრა—კვარკენი (Södra Kvarken). სრუტე ალანდის კ.-ებსა და სკანდინავიის ნ.-კ-ს შორის. ბოტნიის ყურეს აკავშირებს ბალტიის ზღვასთან. სიგანე დაახლ. 40 *კმ*, მაქს. სიღრმე 244 *მ*. დინება მიმართულია სამხრ.-კენ. ზამთარში დაფარულია მცურავი ყინულებით. მკაცრ ზამთარში იყინება.

სამხრეთის ოკეანე, ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების სამხრ. ნაწილების პირობითი სახელწოდება. ეს ოკეანე 1650 გამოყო ჰოლანდ. გეოგრაფმა ბ. ვარენიუსმა. XX ს. I მეოთხედამდე ბევრ ქვეყანაში ამ სახელწოდებას აერცელებდნენ ანტარქტიდის ტერიტორიაზეც, რადგან ყინულოვანი კონტინენტი ოკეანის ნაწილად მიაჩნდათ. XX ს. II მეოთხედიდან ს. ო-ის საზღვრები ს. გ. 35°-იდან ს. გ. 60°-მდე ვრცელდება. საბჭ. მკვლევარების მიერ ანტარქტიკის ატლასში (ტ. II, 1969) ს. ო-ის საზღვრად მიჩნეულია ცირკუმპოლარულ ატლანტიკურ დინებათა ჩრდ. საზღვარი და, რადგან ეს უკანასკნელი სეზონურად იცვლება, ოკეანის საზღვარი აფრ., ავსტრალ. და სამხრ. ამერ. კონტინენტების სამხრ. დაბოლოებებთანაა მიახლოებული. ზღვაოსნობის პრაქტიკაში ტერმინი „ს. ო.“ არ იხმარება, სამაგიეროდ მას ფართოდ იყენებენ ოკეანოგრაფიაში, რადგან ს. ო-ის წყლის სივრცე მკაფიოდ გამოირჩევა მიმდებარე ოკეანეებისაგან წყლის ფიზ. მახასიათებლებითა და ფაუნით.

სამხრეთის პასატური დინება, ზედაპირული თბილი დინება მსოფლიო ოკეანის სამხრ. ტროპიკულ განედებში. მიემართება აღმ-იდან დას-კენ. წარმოიქმნება პასატების მოქმედების შედეგად. ს. პ. დ. წყნარ ოკეანეში პერუს დინების გაგრძელებაა, ატლანტის ოკეანეში — ბენგელის დინებისა, ინდ. ოკეანეში კი—ავსტრალ. დინებისა. ს. პ. დ. ეკვატორთან თბება და დას-კენ მიემართება.

სამხრეთის რკინიგზა, მოიცავს რსფსრ ბელგოროდის ოლქის, უკრ. სსრ, ხარკოვისა და პოლტავის, ჩერნიგოვის, სუმისა და ვოროშილოვგრადის ოლქების, აგრეთვე რსფსრ კურსკის ოლქის ფარგლებში სარკინიგზო გზებსა და უბნებს. სამმართველო ხარკოვშია. შეიქმნა 1933. ს. რ-ის საექსპლუატაციო სიგრძე შეადგენს 3675 *კმ*, ტვირთბრუნვა — საკავშ. ტვირთბრუნვის 2,5%, ხოლო მგზავრბრუნვა — 4.2% (1979). ს. რ-ის შემადგენლობაშია 5 განყ-ბა: კუპიანსკის, ხარკოვის, ბელგოროდის, პოლტავის და სუმისა. ს. რ-ს აქვს დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა, იგი აკავშირებს ერთმანეთთან ცენტრისა და ევრ. ჩრდილოეთის რ-ნებს დონბასსა და დნეპრისპირეთის რ-ნებთან; კავკ. და სამხრეთის რ-ნებს—ქვეყნის დას. და ჩრდ.-დას. რ-ნებთან. ს. რ. ემსახურება სამთამადნო, მანქანათაშენ საწარმოებს, ნავთობგადასამუშ., საშენ მასალათა მრეწველობას, აგრეთვე ისეთ რ-ნებს, სადაც განვითარებულია სოფ. მეურნეობა. ს. რ. აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1969).

სამხრეთის სამკუთხედი (ლათ. Triangulum Australe), ცის სამხრეთ ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*; ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეა* 1,9. სსრკ ტერიტორიიდან არ ჩანს.

სამხრეთის სპორადები, კუნძულთა ჯგუფი ეგეოსის ზღვაში, მცირე აზიის ნ.-კ-ის სამხრ.-დას. სანაპიროსთან. ეკუთვნის საბერძნეთს. ფართ. 3541 *კმ²*. დიდი კ-ებია: როდოსი, სამოსი, იკარია, კოსი, კარპატოსი. ჭარბობს ბორცვები და დაბალი მთები, რ-თა სიმაღლე 1434 *მ* აღწევს. ხარობს ხმელთაშუა ზღვის ბუჩქნარი, მარადმწვანე მუხა, ფიჭვის, კვიპაროსის ტყეები. მარცვლეულის ნათესები, ვენახები, ზეთისხილის კორომები. თევზჭერა. ქ-ებია როდოსი და სამოსი.

სამხრეთის ქვაბული, წყალქვეშა ქვაბული წყნარი ოკეანის სამხრ.-დას. ნაწილში. დას-იდან ესაზღვრება კერმადეკისა და ტონგის ღრმა ზღვის ღარები და ახალი ზელანდიის წყალქვეშა პლატო, ჩრდით — კუკისა და ტუბუაის კ-ების წარმომქმნელი ქედების წყალქვეშა ძირები, აღმ. და სამხრ-ით — აღმოსავლეთ- და სამხრეთწყნაროკეანური შემაღლებები. ჭარბობს აბისალური ბორცვები და ტალღოვანი ვაკეები; დამახასიათებელია ცალკეული წყალქვეშა მთები. მაქს. სიღრმე 6600 *მ*. ფსკერი დაფარულია წითელი თიხითა და დიატომეებიანი ლამით.

სამხრეთის ჩიფრანი, სოფელი სამხრ. ოსეთის ა ო ჯავის რ-ნში (ვანელის სოფსაბჭო), გუდისის ქედის დას. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*, ჯავიდან 19 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 41 *კმ*. როკის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ქვემო ხვწეში (17*კმ*).

სამხრეთის ჯვარი, *თანავარსკვლავედი*, იხ. *ჯვარი*.

სამხრეთის ჰიდრა (ლათ. Hydrus), ცის სამხრეთ ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*; ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავების ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეები* 2,8 და 2,9-ია. სსრკ ტერიტორიიდან არ ჩანს.

სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი, ვულკანური მთიანეთი ამიერკავკასიაში; მოიცავს სომხ. სსრ-ს, საქ. სსრ სამხრ. ნაწილს (იხ. *საქართველოს სამხრეთი მთიანეთი*) და აზერბ. სსრ დას. ნაწილს. წარმოადგენს მაღალი ვულკ. პლატოების, მთის მასივების, ქედებისა და ქვაბულების ერთობლიობას. ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-იდან შემოფარგლულია მცირე კავკასიონით, სამხრ-იდან — არაქსის შუა დინების ტექტონ. ქვაბულით, ხოლო სამხრ.-დას-ით სომხ. მთიანეთში გადადის. მაქს. სიმაღლე 4090 *მ* (მწვ. არაგაწი). ს. კ. ვ. მ-ის საუბეველი აგებულია პალეოზოური, მეზოზოური და პალეოგენური ასაკის ქანებითა და ინტრუზივებით, რ-ებიც დაფარულია ნეოგენ-მეოთხეული ბაზალტებით, ანდეზიტებით, დაციტებითა და ტუფებით. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით; არის სპილენძის, თუთიის, ტყვიის საბადოები, საშენი ტუფი, მარმარილო და სხვ. ახასიათებს მაღალი სეისმურობა. ჰავა სუბტროპ. კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რა —6, —12°C, ივლ. 15-იდან 25 °C-მდე. ნალექები 200-იდან 800 *მმ*-მდე წელიწადში. პლატოებსა და მთის კალთებზე მთის სტეპი და მდელოსტეპია, უფრო მაღალა — სუბალპ. ნაირბალახიანი მდელოები და ალპ. ხალები. ტყე (ფიჭვნარი, მუხნარი) იშვიათია.

სამხრეთ კასპიის დაბლობი, დაბლობი ირანის ჩრდ. ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრ. ნაპირთან. სიგრძე 525 *კმ*, სიგანე 2—6-იდან 40 *კმ*-მდე. ჰავა სუბტროპიკულია. ნალექები 1000 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. არის ქვეტყით მდიდარი მუხნარები, წიფლნარები და მურყნარები. ნავთობის, აირის, ქვანახშირის საბადოები. ბრინჯის, ბამბის, მარცვლეულის ნათესები, ჩაის, ციტრუსების პლანტაციები. კასპიის ზღვის სანაპიროს ს. პ. დ-ის ფარგლებში „სპარსეთის რივიერას“ უწოდებენ. დიდი ქ-ებია რეშთი, სარი, ენზელი.

სამხრეთ ფუიის ქედი, ქედი იმიერბაიკალეთში, ბურ. ასსრ-ში. სიგრძე დაახლ. 400 *კმ*. გადაჭიმულია მდ. ბარგუზინის სათავეებიდან მდ. ჩარის სათავეებამდე. კეთეს მდ. ვიტიმი. სიმაღლე 2721 *მ*-მდე. აგებულია გრანიტებით, კრისტ. ფიქლებით, მეტამორფიზებული კირქვებითა და დოლომიტებით. კალთებზე ლარიქსის ტაიგაა, 1400 *მ*-ზე მაღლა — ქონდარა ფიჭვის რაყები და ტუნდრა.

სამხრეთ ორკნეის კუნძულები (South Orkney Islands), კუნძულთა ჯგუფი ატლანტის ოკეანის სამხრ.-დას. ნაწილში, ანტარქტიკაში. შედგება 4 დიდი და 40-მდე მცირე კუნძულისაგან. ფართ. 621 *კმ²*. კ-ები მთაგორიანია და თითქმის მთლიანად დაფარულია ყინულითა და თოვლით. სიმაღლე 1266 *მ*-მდე (მთა ნიეფა კ. კორონეიშენზე). აგებულია ძლიერ მეტამორფიზებული დანალექი ქანებით. ხარობს ხავსები და მღიერები. სელაპების თავშესაფარი. კ-ებზე ორი სამეცნ. სადგურია. აღმოაჩინეს 1821 ინგლ. და ამერ. მრეწველებმა, რუკაზე პირველად აღინიშნა 1823.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სამხრეთ ოსეთის გლეხთა აჯანყებები 1918—20, . ბრძოლა მენშევიკების ბატონობის დასამხობად და საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად სამხრ. ოსეთში. 1918 დასაწყისისათვის სამხრ. ოსეთის მშრომელთა რევ. ბრძოლა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ყორნისის ხეობაში მემამულეებმა გლეხებისაგან გადასახადის აკრეფა ძალით დაიწყეს. გლეხებმა ომიდან დემობილიზებულ ჯარისკაცებთან ერთად იარაღით გააგდეს თბილისიდან კოსტა ყაზბეგის (ყაზბეგის) მეთაურობით ჩასული „სახალხოგვარდიელთა“ ექსპედიცია. 15 მარტს სოფ. ვანათში (ახლანდ. ცხინვალის რ-ნი) მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რ-მაც ამიერკავკ. სეიმს მოსთხოვა მემამულეთა გასახლება გორის მაზრიდან და მათი შიწების გლეხებისთვის გადაცემა. სეიმმა მოთხოვნა არ მიიღო. 18 მარტს აჯანყება დაიწყო. მეორე დღეს ცხინვალის რ-ნიდან გარეკეს მენშევიკური მთავრობის ჯარის ნაწილები, მაგრამ 22 მარტს მთავრობის ჯარებმა დაიბრუნეს ცხინვალი. რკპ (ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტის მითითებით სამხრ. ოსეთის საოლქო კომიტეტებმაც გააჩაღა მუშაობა საყოველთაო აჯანყების მოსაწყობად საქართველოში, რ-იც 1919 წ. 25 ოქტომბრის იყო დანიშნული. რკპ (ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტმა ვერ მოასწრო აჯანყების გადავადების შესახებ რაიონული კომიტეტებისათვის შეტყობინება, ამიტომ 23 ოქტ. როჭის რ-ნში აჯანყებულებმა საბჭ. ხელისუფლება გამოაცხადეს და ჯავისაკენ გაემართნენ. აჯანყებულებმა მალე გაიგეს აჯანყების გადავადება და თერგის ოლქში გადავიდნენ. 1920 რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა საქართველოში საყოველთაო აჯანყების მოსაწყობად. მან, პირველად საქართველოში, 23 მარტს შექმნა სამხრ. ოსეთის რევკომი ს. გაგლოევის, ა. ჯათიევისა და ვ. სანაკოევის შემადგენლობით. მენშევიკურმა მთავრობამ გაითვალისწინა როჭის რ-ნის სტრატეგიული მნიშვნელობა და ჯარის ახ. ნაწილები გაგზავნა როჭის გადასასვლელის ჩასაკეტად. 8 მაისს აჯანყებულებმა როჭის რ-ნში საბჭ. ხელისუფლება გამოაცხადეს, 6 ივნ. ჩრდ. ოსეთიდან დაბრუნებული სამხრ. ოსეთის ბრიგადის დახმარებით დაამარცხეს ჯავის ხეობაში მყოფი ჯარის ნაწილები, ხოლო მეორე დღეს ცხინვალი დაიკავეს და საბჭ. ხელისუფლება იქაც გამოაცხადეს. 1920 ზაფხულში მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდი **სამხ.** შენაერთი გაგზავნა და აჯანყება ჩაახშო.

ლიტ.: სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1957; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ.,



სანა. მეჩეთი ბაქილიჯე. მინარეთი- XVII ს.



ვ. სახაევი.

1971; Плиев Б. З., Борьба трудящихся Южной Осетии за Советскую власть в 1917—1921 гг., Цхинвали, 1977; Цховребов В. Д., Санакоев М. Н., Южная Осетия в период трех революций (1900—1921 гг.), Тб., 1981.

ვ. ცხოვრებოვი.

სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი, დაარსდა 1932 ცხინვალში. 1934-მდე ეწოდებოდა ცხინვალის პედ. ინ-ტი, 1934—61 დეკ-მდე — სტალინირის პედ. ინ-ტი. 1985 ინ-ტში იყო 5 ფაკ-ტი: ფიზ.-მათ., საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისტ.-ფილოლ., ფილოლ., საზ. პროფესიათა. აქვს აგრეთვე საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები. სწავლება ოსურ, ქართ. და რუს. ენებზეა (სპეციალობების მიხედვით); მოქმედებდა 14 კათედრა; სწავლობდა 1925 სტუდენტი, მუშაობდა 99 პროფესორ-მასწავლებელი. ინ-ტის თანამშრომელთა სამეცნ.-კვლ. სტატიები იბეჭდება საქ. სსრ პედ. ინ-ტების „შრომებში“.

ი. გაგლოითი.

სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიისა (ცხინვალი), დაარსდა სამხრ. ოსეთის სამეცნიერო-ლიტერატურულ საზ-ბის (დაარსდა 1922, 1925-იდან ეწოდა სამხრ. ოსეთის მხარეთმცოდნეობის საზ-ბა) ბაზაზე. 1927 გადაკეთდა მხარეთმცოდნეობის ინ-ტად. 1936 რეორგანიზებულ იქნა სამეცნ.-კვლ. ინ-ტად, 1938 ეწოდა სამხრ. ოსეთის ცაკ-თან არსებული ენის, ლიტ-რისა და ისტ. ინ-ტი, ხოლო 1944 შეუიდა საქ. სსრ მეცნ. აკად. სისტემაში როგორც ს. ე. ს.-ჯ. ი. აქვს 5 განყ-ბა: არქეოლ., ისტ. და ეთნოგრ, ოსური ენის, ოსური ლიტ-რის და ეკონ.; ბ-კა (33 ათ-მდე ტ.). ინ-ტის თანამშრომლებს გამოქვეყნებული აქვთ 600-ზე მეტი შრომა, მ. შ. 145 მონოგრაფია, 19 სახელმძღვანელო და ინ-ტის „მოამბის“ 25 ტომი.

გ. თოგოშვილი.

სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი, მუშათა პირველი რევოლუციური პოლიტიკური ორგანიზაცია რუსეთში. საფუძველი ჩაეყარა ოდესაში 1875. მის შექმნას ხელი შეუწყო ოდესაში ვაჭრობა-მრეწვ. სწრაფმა განვითარებამ, რადგან აქ თავს იყრიდნენ მუშები რუს. სხვადასხვა კუთხიდან. აქვე შემოჰქონდათ რუს. რევ. ემიგრაციის ლიტ-რა. „ს. რ. მ. კ-ის“ შექმნა განაპირობა ოდესის ჩაიკოვსკელების, ძმები ჟებუნიოვებისა და ი. კოვალსკის წრეების მოღვაწეობამ. კავშირის ბირთვად იქცა ე. ზასლავსკის მიერ დაარსებული მუშათა წრის გამსესხებელ-შემნახველი სალარო (მოგვიანებით — „ოდესის მუშების ძმათა სალარო“). 1875 ივლ-ში საბოლოოდ გაფორმდა „კავშირის“ დაარსება, მიიღო სახელწოდება და წესდება, რ-მაც I ინტერნაციონალის წესდების გავლენა განიცადა. მისი მიზანი იყო კაპიტალის ჩაგვრისაგან მუშების განთავისუფლება, ბრძოლა ეკონ. და პოლიტ. წესრიგის წინააღმდეგ და სხვ. 1875 დასასრ. და 1876 დამდეგს „ს. რ. მ. კ.“ და მისი 150 — 200-მდე თანამგრძნობი გაანადგურეს ღალატის შედეგად. 15 წევრი სასამართლოს გადასცეს, ზოგს კატორღა, სხვებს კი სხვადასხვა ვადით პატიმრობა და გადასახლება მიუსაჯეს.

ლიტ.: Першина З. В., Очерки истории революционного движения на юге Украины, К.—Од., 1975.

სამხრეთ სახალინის ოპერაცია 1945, სამხრ. სახალინის გასათავისუფლებლად საბჭ. ჯარების მიერ 11—25 აგვ. ჩატარებული შეტევითი ოპერაცია II მსოფლიო ომის (1939—45) დროს. ოპერაციაში მონაწილეობდნენ II შორეულ აღმოსავლეთის ფრონტის (სარადღი არმიის გენ. მ. პურკაევი), მე-16 არმიის 56-ე მსროლელი თი დივიზიის ჯარები, სასაზღვრო ჯანდარმერიის ნაწილები და რეზერვისტთა რაზმები. 18 აგვ-თვის საბჭ. ჯარები დაეუფლნენ ყველა გამაგრებულ საყრდენ პუნქტს. 16 აგვ. სამხრ. სანაპიროზე, ხოლო 19—25 აგვ. მაოკისა და ოტომარის პორტებში გადასხეს საზღვ. დესანტი. 25 აგვ. დაიკავეს სამხრ. სახალინის ადმ. ცენტრი ჭ. ტოიოჰარა (ახლანდ. ოუნუო-სახალინსკი). რუს.-იაპ. 1904—05 ომის შედეგად რუსეთს მოწყვეტილი სახალინის სამხრ. ნაწილი სსრკ-ს დაუბრუნდა.

სამხრეთ სენდვიჩის კუნძულები (South Sandwich Islands), ვულკანურ კუნძულთა ჯგუფი ატლანტის ოკეანის სამხრ. ნაწილში, ანტარქტიკაში. შედგება 8 მთაგორიანი და მრავალი მცირე კუნძულისაგან. არის მოქმედი ვულკანები. ფართ. დაახლ. 300 *კმ*^{2}. უმთავრესად აგებულია ახალგაზრდა ვულკ. ქანებით. სიმაღლე 1372 *მ*-მდე. დაფარულია თოვლითა და ყინულით. ბევრია ფრინველი. სელაპების თავშესაყარი. 1775 ჯ. კუკის ინგლ. ექსპედიციამ ს. ს. ჯ. შეცდომით კონტინენტური ხმელეთის შვერილად მიიჩნია და სენდვიჩის მიწა უწოდა საადმირალოს პირველი ლორდის პატივსაცემად. კუნძულოვანი ხასიათი პირველად 1820 ფ. ბელინსგაუზენმა დაადგინა და მანვე მისცა თანამედროვე სახელწოდება.

სამხრეთ შეტლანდის კუნძულები (South Shetland Islands), ვულკანურ კუნძულთა ჯგუფი ანტარქტიკის ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. სანაპიროსთან, რ-ისგანაც გამოყოფილია ბრანსფილდის სრუტით. შედგება 11 დიდი და მრავალი მცირე კუნძულისაგან. ფართ. დაახლ. 4,3 ათ *კმ*^{2}, სიმაღლე 2300 *მ*-მდე. აგებულია ამონთხეული, მეტამორფული და ნაწილობრივ დანალექი ქანებით. დაფარულია თოვლითა და ყინულით. ხარობს ხავსები და მღიერები. სელაპებისა და ზღვის ლომების თავშესაყარი, პინგვინთა კოლონიები. 1944-იდან მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნ. სადგურები; 1968-იდან მოქმედებს საბჭ. სამეცნ. სადგური ბელინსგაუზენი. კუნძულები აღმოაჩინა ინგლ. უ. სმითმა 1819, პირველად აღწერა და რუკაზე აღნიშნა ფ. ბელინსგაუზენმა.

სამხრეთ შოტლანდიის მაღლობი, მაღლობი კ. დიდ ბრიტანეთზე, შუა შოტლანდიის დაბლობსა (ჩრდ.) და პენინის მთებს (სამხრ.) შორის. სიგრძე სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-კენ ღაახლ. 180 *კმ*. შედგება ცალკეული მასივებისაგან. მაქს. სიმაღლე 842 *მ* (მთა მერიკი). უმთავრესად აგებულია გრანიტებითა და კრისტ. ფიქლებით. არის ძვ. გამყინვარების ნიშნები (კარები, მორენები და სხვ.). ტორფნარები, მანანიანები, მდელოები. მეცხვარეობა, სარძეო მესაქონლეობა.

სამხრეთ ჩინეთის ზღვა, ნახევრად დახშული ზღვა წყნარი ოკეანის დას. ნაწილში, აღმ. და სამხრ.-აღმ. აზიის ნაპირებთან, ინდოჩინ. და მალაკის ნ.-კ-ებსა და კ-ებს კალიმანტანს, პალავანს, ლუსონსა და ტაივანს შორის. ჩრდ-ით ტაივანის სრუტით უკავშირდება აღმ. ჩინ. ზღვას, ჩრდ.-აღმ-ით ბაშისა და ლუსონის სრუტეებით — წყნარ ოკეანეს, სამხრ.-დას-ით სინგაპურის სრუტით — ინდ. ოკეანეს, სამხრ-ით გელასისა და კარიმატის სრუტეებით — იავის ზღვას. ფართ. 3537 ათ. *კმ*^{2}, საშ. სიღრმე 1024 *მ*, წყლის მოცულობა 3622 ათ. *კმ*^{3}. სანაპირო ხაზი სუსტად არის დანაწევრებული. დიდი ყურეებია: ბაკბო (ტონკინის) და სიამის. დიდი კუნძულია ხაინანი. ერთვის მდ-ები: სიძიანი, ხონგჰა, მეკონგი, მენამი. დამახასიათებელია წყალქვეშა მიწისძვრები და ვულკ. ამონთხევები. ფსკერი დაფარულია ლამით, ალაგ-ალაგ ქვები და კენჭებია

მმ წელიწადში. ზაფხულობით და შემო გომაზე ხშირია ტაიფუნი. ს. ჩ. ზ-ის დ ნაწილში ზამთრობით მკაფიოდ არის მოხატული სამხრეთის დინება, ზაფ ლობით — ჩრდილოეთისა (სიჩქარე ახლ. 1 *კმ/სთ*). წყლის ტემპ-რა თებ 20—27°C, აგვ-ში 28—29°C. მარილიანო 31—34‰. მოქცევა დღეღამური და შერ ულია, სიმაღლე 5,9 *მ*. მდიდარია თ ზით. იჭერენ ზღვის კუს. მთავარი ნავსა გურებია: ბანგკოკი (ტაილანდი), სიან ნი (სინგაპორი), უანჯოუ და შანტ (ჩინ. სრ), ხოშიმინი და ჰაიფონი (ვიეტ მი), მანილა (ფილიპინები).

სამხრეთ ჩუიის ქედი, ქედი ცენტ ალთაიში, მდ-ების ჩუიისა და არგუტ წყალგამყოფი. სიგრძე 120 *კმ*, სიმა ლე 3960 *მ*-მდე (მთა ირბისთუ). ალპ. რ ლიეფი, მდინარეთა სათავეებში — ხეობ მყინვარები. კალთების ქვემო ნაწილ სტეპური ლანდშაფტია, მაღალმთიან სა ტყეში — ტუნდრა, მდელოები და ქვ ყრილები. ტყე გვხვდება ჩრდ. კალთებ და ხეობების გასწვრივ.

სამხრეთწყნაროკეანური შემაღლ ება, სამხრეთწყნაროკეანური ქედი, შუაოკეანური ქედი წყნარი ოკე ნის სამხრ. ნაწილში. სიგრძე დაახლ. 50 *კმ*. სხვა შუაოკეანური ქედებისაგან გამ ირჩევა დიდი სიგანით (1500 *კმ*-მდე), სუ ტი დახრილობით და ნაკლებად გამოხატ ლი რიფტული ზონით. სიღრმეები თხელ 2500—3000 *მ*.

სანა, იემენის არაბთა რესპუბლიკის დ დაქალაქი, ქვეყნის მთავარი სავაჭრო-სა რანსპ. და სამრეწვ. ცენტრი. გაშენებულ 2400 *მ* სიმაღლეზე. ჰავა ტროპიკული იან. საშ. ტემპ-რა 13,7°C, ივნ. 21°C. ნ ლექები დაახლ. 600 *მმ* წელიწადში. 277 ათ. მცხ. (1982). ქალაქის დაარსების თ რიღი უცნობია. პოლიტ. ცენტრის როლ ასრულებს VI ს-იდან. შუა საუკუნეებ ს-ზე გადიოდა სამხრ. არაბეთის სავაჭრ გზები ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისაკე XI—XV სს-ში იყო სამხრ. არაბეთის სხვ დასხვა ფეოდ. სახელმწიფოს შემადგე ლობაში. 1546-იდან 1628-მდე ოსმალე ემორჩილებოდა. XVII ს. შუა წლებიდ XIX ს. შუა წლებამდე იემენის ზეიდი იმამების რეზიდენცია იყო. 1871 კვლ ოსმალებმა დაიკავეს. 1911 ს. დაიმორჩილ იმამმა იაჰიამ, რ-მაც 1918 იგი იემენ სამეფოს დედაქალაქად აქცია. 1962-იდ იემენის არაბთა რესპ. დედაქალაქია.

საავტ. გზით უკავშირდება ნავსადგუ ჰოდეიდას და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებ აეროპორტი. იარაღის წარმოება. საფე რო, ავეჯისა და ფეხსაცმლის ფ-კები. ხელოსნური წარმოების დიდი ცენტრი ამზადებენ ვერცხლისა და ოქროს ნაკეთ ბებს, ქსოვილებს, სპილენძის ჭურჭელ და სხვ. ს-ის აღმ. ნაწილში ძვ. ქალაქ (ალ-ყამი ალ-ქაბირის მეჩეთი, 670-იან წწ., მინაშენები VIII, X და XII სს.; ბაღ ლიჯეს მეჩეთი, XVII ს; შუა საუკ. აბანოებ ქარვასლა, ციტადელი და სხვ.). XVII—X სს-ში განაშენიანებულ დას. ნაწილ (ბაღებიან ქალაქში) ბევრი კერძო სახლი თანამედროვე ნაგებობებში შენარჩუნებ ლია ტრად. ელემენტები.

სანაგა (Sanaga), მდინარე კამერუნში წარმოიქმნება მდ-ების დიერემისა და ლ მის შეერთებით, რ-თაც სათავე აქვთ ადამ ვის ზეგანზე. სიგრძე მდ. დიერემის სათ ვიდან 918 *კმ*, აუზის ფართ. 135 ათ. *კმ* ჩადის ბიაფრის ყურეში. შუაწელში აჩქ ჭორომებსა და ჩანჩქერებს. საზრდოო წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის ივნ დეკ-ში. წყლის საშ. ხარჯი ქვემოთ 300—350-იდან 5000—7000 $მ^3/წმ$-მდე. ნაოსნოა ქ. ედეის ქვემოთ. ჰესი.

სანაევი ვასილის ძე (დ. 2

ბრიაკოვის როლი ფილმში „საყვარე- ქალიშვილი“. სხვა როლები: ბოლ- იკი ემელიანოვი („მოთხრობები ლე- ზე“, 1958), კოზლოვი („ხუთი დღე- ი ღამე“, 1961), მაიორი საზონოვი ს მოხდა მილიციაში“, 1967), პოლკოვ- ი ზორინი („წმინდა ლუკას დაბრუნე- ', 1970; „შავი პრინცი“, 1973), პოლ- ვნიკი ლუკინი („განთავისუფლება“, 3) და სხვ. ძმები ვასილიევების სახ. ცსრ სახელმწ. პრემია (1967).

ნავარდო, სოფელი ყვარლის რ-ნში არლის საქალაქო საბჭო), ალაზნის ეზე. ზ. დ. 310 *მ*, ყვარლიდან 7,5 *კმ*, უზნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) *კმ*. ყვარლის მევენახეობის საბჭ. მეურ- ბა. რვაწლ. სკოლა, საფერშლო-სამე- პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ნავიგაციო აქტები (Navigations ts), უცხოური კონკურენციისაგან ინგ- სის საზღვაო ვაჭრობის დასაცავად ლისის პარლამენტის მიერ მიღებული ები. პირველი ს. ა. მიიღეს 1381. 1 აქტის თანახმად, ინგლისსა და მის ფლობელოებში აფრიკიდან, ამერიკიდან აზიიდან საქონლის შემოტანა შეიძლე- და მხოლოდ ინგლ. გემებით, ხოლო ევ- ული საქონლისა — ინგლ. ან ექსპორ- რი ქვეყნის გემებით. ამ აქტმა, რ-იც ლანდიის საშუამავლო ვაჭრობისა და ზჭერის წინააღმდეგ იყო მიმართული, ლ.-ჰოლანდ. 1652—54 ომი გამოიწვია . *ინგლის-ჰოლანდიის ომები XVII ს-ში*). ს. ა. *მერკანტილიზმის* პრინ- ებს ემყარებოდა და მნიშვნელოვანი ლი ითამაშა ინგლ. საზღვ. ვაჭრობის ეთარებაში.

ნავიგაციო თანამგზავრი, *დედა- ის ხელოვნური თანამგზავრი*, რ-ის ნიშნულებაა გემებისა და თვითმფრინა- ის ნავიგაციის უზრუნველყოფა. რადი- ექ. აპარატურით ზომავენ ს. თ-მდე მან- ის და მის სიჩქარეს გემის (თვითმფრინა-) მიმართ, ხოლო ს. თ-ის მიერ კავში- ს სეანსების დროს გადმოცემული ინფორ- აციის მიხედვით—მის გეოცენტრულ მან- ულს. ამის შემდეგ განისაზღვრება გე- (თვითმფრინავის) ადგილმდებარეობა დომილება ≈ 55 *მ*). სიზუსტის გასაზრდე- დ იყენებენ ს. თ-ების სისტემას, რ-ებსაც ირდებიან მიწაზე განლაგებული სად- რებიდან.

ნათი, სითხის ღია სივრცისა და ცალ- ული საგნისათვის განკუთვნილი განათე- ხელსაწყო. ზოგჯერ ს-ის მთავარი და- ნულებაა დეკორატიულობა. პირველი ბი ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში ო ცნობილი. ძვ. საბერძნეთსა და რომში ნებდნენ თიხისა და ბრინჯაოს ს-ებს, ებშიც ასხამდნენ ზეითუნის ზეთს. თანა- დროვე ს. შედგება განათების არმატუ- სა (გა) და ერთი ან რამდენიმე სინათ- ს წყაროსაგან. გა-ის უმნიშვნელოვანე- ნაწილია ს-ის ოპტ. სისტემა, რ-ის ელე- ტებია *ამრეკლი*, გარდამტეხი, საბნე- ლა, ფილტრი და სხვ.

ს. უნდა აკმაყოფილებდეს შუქტექ., ქ.-ეკონ., ესთეტ. და სამონტაჟო-საექსპ- უატაციო მოთხოვნებს, აგრეთვე უნდა ის უსაფრთხო და საიმედო მუშაობის ხოს. ს-ის ძირითადი ფუნქციური მაჩვე- ებლებია: შუქგანაწილების ხასიათი, და- ის კუთხის სიდიდე (განსაზღვრავს ზო- ს, რ-შიც თვალი დაცულია სინათლის აროს უშუალო ზემოქმედებისაგან), ბდველობის არეში მდებარე ს-ის ზე- პირების სიკაშკაშის მნიშვნელობა და ის მქკ. დანიშნულების მიხედვით განა- გავებენ საერთო და ადგილობრივი გა- *თების* ს-ებს. პირველს იყენებენ სათა- ო სამუშაო ზედაპირის საჭირო განათე- ლობის უზრუნველყოფისა და სიკაშკა- ს ხელსაყრელი განაწილებისათვის, ორეს კი — სამუშაო ზედაპირის ცალკეული უბნების გაზრდილი განათებულობის საღწევად. დაყენების ხერხის მიხედვით ს-ები არის: საკიდი, ჭერისა, ჩაშენებული, მიშენებული, კონსოლური და ა. შ., მტვერისა და ტენისაგან დაცულობის ხარისხის მიხედვით— ღია, გადახურული, მტვერშეუღწევი, ჰერმეტული და სხვ. არსებობს აგრეთვე სპეც. აფეთქებისაგან დაცული ს. ილუსტრაციები იხ. სტატიებთან *განათების არმატურა; აირგანმუხტვის სინათლის წყაროები*.

ლიტ.: Трембач В. В., Световые приборы, М., 1972.

სანათი (არაბ.-სპარს. სანად—საბუთი), ვალდებულებითი საბუთი, უმთავრესად სავალო ხელწერილი, ხშირად გირავნობითურთ. ს-ს *თამასუქიც* ერქვა. ტერმ. გავრცელებული იყო XVII—XVIII სს-ში.

ლიტ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი 1, 2, 3 წიგნების ლექსიკონი და საძიებლები, შეადგინა მ.ბერძნიშვილმა, თბ., 1957.

დ. ფურცელაძე.

სანათლავი, ბაპტისტერიუმი, 1. სათავსი, რ-შიც ხდება *ნათლისღება*. დას. ევრ. ქვეყნებში ს. ხშირად განცალკევებით დგას. წარმოადგენს გუმბათით დაგვირგვინებულ, გეგმით მრგვალ ან რვაწახნაგა ნაგებობას. შუაში არის ემბაზი. საქართველოში ეკლესიაში ს-თვის თავდაპირველად ცალკე სათავსი იყო გამოყოფილი (ბოლნისის სიონი), რაც შემდეგ ხანებში აღარ გეხვდება (გარდა წინოწმინდის ეკლესიისა) 2. იგივეა, რაც *ემბაზი*.

სანაი აბუ ლ-მაჯდ მაჯდუდ იბნ ადამ, XI—XII სს. სპარსელი პოეტი. ავტორი ლირ. დივანისა და დიდაქტ.-რელიგ. პოემებისა, რ-თა უმრავლესობა სუფიზმის ფილოსოფიას და ეთიკურ იდეებს ემსახურება („ბალხის ამბავი“, „სიყვარულის წიგნი“, „გონების წიგნი“, „ჭეშმარიტებათა ბაღი“ და სხვ.). „ჭეშმარიტებათა ბაღს“ გავლენა მოუხდენია ნიზამის, ათარისა და ჯალალ ად-დინ რუმის შემოქმედებაზე. აღიარებულია მსგავსება ს-ს „ღვთის მონათა მოგზაურობასა“ და დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ შორის. ს-ს პოემათა მაღალფარდოვანი სტილი შემდგომ განვითარდა ანვარის, ნიზამისა და ხაყანის შემოქმედებაში.

სანაინი, შუა საუკუნეების მონასტერი სოფ. სანაინში (ახლანდ. ქ. ალავერდი, სომხ. სსრ). შუა საუკ. ჩრდ. სომხ. ერთ-ერთი უმთავრესი კულტურის ცენტრი. ს-თან არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც ხდებოდა წიგნების გადაწერა, ბ-კა და აკადემია. ს. ფლობდა დიდ მამულებს. ს-ის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ჩამოყალიბდა სხვადასხვა დროის შენობებისგან, რ-თაგან მთავარია ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესიების ჯგუფი: ასტვაწაწინი (დაახლ. 934), მონასტრის მთავარი ეკლესია ამენაპრკიჩი (957—962); დას-ით არის 4 სვეტიანი (1185) და სამნავიანი (1211) გავითები (სტოა), იარუსებიანი სამრეკლო (XIII ს. შუა ხანა), ბ-კა (1063). მონასტრის ტერიტორიაზე შემონახულია აგრეთვე სხვა ნაგებობებიც.

სანაკელე, მეცხოველეობის ფერმის ერთ-ერთი ნაგებობა, რ-იც განკუთვნილია ნაკელის ჩასაყრელად და შესანახად. ეს არის ჩაღრმავებული ადგილი, რ-საც მიწისზედით აქვს გვერდითი კედლები და 1—2 სანგრძივი. ს. არის როგორც ღია, ისე გადახურული. უმეტეს შემთხვევაში კედლები და იატაკი ბეტონისაა, ხოლო თვითონ ნაგებობას საპირისპირო მხარეებზე ტრანსპ. შესასვლელი და გამოსასვლელი აქვს. ს-ს ტიპს განსაზღვრავს ფერმის სიდიდე, კლიმ. პირობები გრუნტის ხასიათი, ცხოველის სახეობა. ს-ში ნაკელის დამწიფების პერიოდი გრძელდება გაზაფხულ-ზაფხულში 2-თვეს, ზამთარში 3—4 თვეს.

სანაკოევი, სანაყოევი, ბორის იოსების ძე (დ. 1920, სოფ. ყარმანჩი, სამხრ. ოსეთის აო), საბჭ. ფერმერი. საქ. სსრ სახ. მხატვარი (1980). სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელი (1938) და




სანათლავი. რელიეფი. ჟალეთი. IX საუკუნე.



ბ. სანაკოევი.



ბ. სანაკოევი. „მარინა ცხოვრებოვას პორტრეტი“. 1976. მხატვრის კუთვნილება.



სანამზადო დგანი. უწყვეტი სანამზადო დგანის 730/530 სქემა: 1—6—სამუშაო გალები, რომელთა გლინების დიამეტრია 730 მმ; 7—12—სამუშაო გალები, რომელთა გლინების დიამეტრია 530 მმ; 13—მიმყვანი როლგანგი; 14—შუალედური როლგანგი; 15 — მემოვლითი როლგანგი; 16—18—მაგრატლები; 19—გამომყვანი როლგანგი; 20 — მაცივრები ნამზადებისათვის; 21—22—ხიდური ამწეები.

ნამზადო დგანი. უწყვეტი ს. დ-ებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია უწყვეტი ს. დ-ები (ნახ.), რ-ებშიც გასაგლინი ლითონი რიგრიგობით მოიჭიმება ვერტ. და ჰორიზ. გლინებიან გალებში გადაბრუნების გარეშე, რაც ამცირებს მის ზედაპირზე ბზარებისა და ნაკაწრების წარმოქმნის საშიშროებას. დგანის გლინების ინდივიდ. ამძრავი უზრუნველყოფს გლინვის სიჩქარის რეგულირებას, აიოლებს გლინების აწყობასა და დაკალიბრებას.

თანამედროვე უწყვეტ ს. დ-ებზე ყველა ტექნოლ. ოპერაცია მექანიზებული და ავტომატიზებულია, ზოგიერთი დგანის მუშა-

ობის სამართავად იყენებენ ელექტრონულ გამომთველეს მანქანებს. სსრკ-ში უწყვეტ ს. დ-ებზე, 300×300 — 400×400 *მ* კვეთის ბლუმებით ღებულობენ კვადრ. (50×50—150×150 *მ* კვეთის), ზოგჯერ მრგვალ (300 *მ*-მდე დიამეტრის) ნამზადებს. ზოგიერთ ს. დ-ზე გლინავენ აგრეთვე ბრტყელ ნამზადს (ნაბიკვს), რ-ის განია 180—600 *მ*, სისქე 50—100 *მ*. ხაზურ ს. დ-ებს ძირითადად იყენებენ მაღალხარისხოვანი ფოლადის გასაგლინად, ხოლო ს. დ-ებს გალეების მიმდევრობითი განლაგებით — მრგვალი სამილე ნამზადების გასაგლინად.

სანამყენე, 1. სხვა მცენარეზე (*საძირეზე*) დასამყნობი კულტურული ჯიშის კალამი ან ქერქის კვირტიანი ნაწილი; 2. მცენარის მიწისზედა ნაწილი, რ-იც განვითარებულია ს-ის კალმიდან ან კვირტიდან. მეხილეობაში კალამს სადედე ბაღიდან იღებენ. ს-ის ხარისხი დამოკიდებულია სადედე ხის მდგომარეობასა (უნდა იყოს ჯანსაღი, მოსავლ ანი, ცუდი გარემო პირობების ამტანი) და კალმის შენახვის პირობებზე.

სანანდაჯი, ქალაქი დას. ირანში, ქურთისტანის ოსტანის ადმ. ცენტრი. 65 ათ. მცხ. (1973). საავტ. გზების კვანძი. ხის დასამუშ. და ხალიჩების საქსოვი საწარმოები. დაარსდა XVII ს. დამდეგს.

სან-ანტონიო (San Antonio), ქალაქი აშშ-ის სამხრ. ნაწილში, ტეხასის შტატში. 783 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 1,1 მლნ. (1980). გაშენებულია სან-ანტონიოს ხეობაში, დიდი სას.-სამ. და ნავთობ-აირის მოპოვების რ-ნის ცენტრში. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. განვითარებულია კვების, ლითონდასამუშ., ნავთობგადასამუშ., ქიმ., სამკერვალო მრეწველობა. მექსიკასთან ვაჭრობის ცენტრი (საქონლის, მატყლის, ბამბის, ხილის შესყიდვა). კლიმ. კურორტი, მინერ. წყაროები. ტურიზმი. უნ-ტი. ქალაქი დააარსეს ესპანელებმა 1718.

სანაპირო არხი, სანაოსნო არხების სისტემა აშშ-ში, მექს. ყურისა და ატლანტის ოკ. სანაპიროს გაყოლებით. შედგება ფლორიდის ნ.-კ-ით გაყოფილი 2 შტოსაგან: მექსიკური შტო—ბრაუნსვილიდან (ტეხასი) აპალაჩიკოლამდე (ფლორიდა) და ატლანტიკური შტო—მაიამიდან (ფლორიდა) ბოსტონამდე. სიღრმე ძირითად უბნებში 2,85—3,66 *მ*. ზოგან საზღვ. გემებიც შედიან. მექს. შტოთი უმთავრესად გადააქვთ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ლითონის მილები, გოგირდი; ატლანტიკური შტოთი — მერქნის მასა, ქაღალდი, ნავთობპროდუქტები.

სანაპირო კორდილიერები ანდებისა, ქედების მწკრივი წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ სამხრ. ამერიკაში — კოლუმბიის, ეკვადორის, პერუსა და ჩილეს ტერიტორიებზე. კოლუმბიის ს. კ. აგებულია პალეოგენ-ნეოგენური ქვიშაქვებითა და მერგელებით, სიმაღლე 1810 *მ*-მდე; ეკვადორის ს. კ.—პალეოგენური ქვიშაქვებითა და კირქვებით, სიმაღლე 800 *მ*-მდე; პერუს ს. კ. შედგება ცალკეული შთენილი ქედებისაგან, სიმაღლე 1780 *მ*-მდე; ჩილეში კი ერთიანი ძლიერ დანაწევრებული ქედია, სიმაღლე 3200 *მ*-მდე; რ-იც ს. გ. 41°31′ სამხრ-ით იძირება და წარმოქმნის ჩილეს არქიპელაგის კუნძულთა მწკრივს. პერუსა და ჩილეს ს. კ. აგებულია მეზოზოურსა და პალეოზოურ ქანებში შეჭრილი ზედაცარცული ინტრუზიებით, რ-ებთანაც დაკავშირებულია სპილენძის საბადოები. ს. გ. 36°-იდან ტაიტაოს ნ.-კ-მდე ს. კ. აგებულია ძვ. კრისტ. და მეტამორფული ქანებით.

სანაპირო ქედები (Coast Ranges), დაბალი ქედებისა და მასივების მწკრივი აშშ-ის დას. სანაპიროს გასწვრივ. საშ. სიმაღლე დაახლ. 1000 *მ*, მაქს. — 2428 *მ* (მთა ოლიმპუსი). უმთავრესად აგებულია ცარცული და კაინოზოური დანალექი და მეტამორფული ქანებით. სეისმურია. ნავთობის, ქვანახშირისა და ვერცხლისწყლის საბადოები. ს. კ. მდებარეობს ზომიერ და სუბტროპ. ზონებში. ჩ. გ. 42°-ის ჩრდ-ით კალთები შემოსილია მაღალტანიანი წიწვნარით, სამხრ. ნაწილში უმთავრესად ხარობს ფიჭვნარი და ხეშეშფოთლიანი მარადმწვანე ბუჩქნარი (ჩაპარალი). ცენტრ. ნაწილის დას. კალთებზე სეკვოიის ტყის მასივებია. ეროვნ. პარკი ოლიმპიკი ტურიზმისა და დასვენების ადგილია.

სანაპირო ქედი (Coast Range), ქედი ჩრდ. ამერიკის კორდილიერების სისტემაში, აშშ-სა და კანადაში. გადაჭიმულია წყნარი ოკ. სანაპიროს გასწვრივ 1700 კმ-ზე. მაქს. სიმაღლე 4042 *მ*-მდე (მთა უოდინგტონი). აგებულია გრანიტებით. დანაწევრებულია განივი ხეობებითა და ფიორდებით. კალთები შემოსილია წიწვოვანი ტყით, განვითარებულია მთის ტუნდრა და ალპ. მდელოები, უფრო მაღლა მარადი თოვლი და მყინვარებია.

სანაპირო ქედი, ქედი ოხოტის ზღვის ჩრდ.-დას. სანაპიროსთან, რსფსრ ხაბაროვსკის მხარეში. გადაჭიმულია 650 კმ-ზე უდის უბიდან მდ. ოხოტამდე. სიმაღლე 1662 *მ*-მდე. აგებულია ზედაპალეოზოური დიორიტებით და ზედამეზოზოური პორფირიტებითა და ტუფებით. ჯუგჯურის ქედიდან გამოყოფილია ღრმა ტექტონ. დეპრესიით. მდინარეთა ხეობებით დანაწევრებულია ცალკეულ ქედებად. ზღვისკენ ეშვება კლდოვანი ფლატეებით. ზღვის ქარისაგან დაცულ ხეობებში ხარობს აიანის ნაძვის ტყე.

სანაპირო ხაზი, ხაზი, რ-იც წარმოადგენს საზღვარს ზღვასა (ტბასა) და ხმელეთს შორის და ასახავს თანამედროვე ან ძვ. წყალსატევის ნაპირების მოხაზულობას. რადგან წყლის დონე ხშირად იცვლება და ს. ხ-ც გადაადგილდება ხოლმე, ამიტომ იგი პირობითია და მის მდებარეობას განსაზღვრავენ წყალსატევის საშ. მრავალწლიური დონის მიხედვით. ძვ. ს. ხ-ის შესწავლით შეიძლება დავადგინოთ დედამიწის ქერქის ვერტ. მოძრაობათა ხასიათი და ტემპი.

სანარდო ხელშეკრულება, შრომის ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა, რ-ის დროს ანაზღაურება დამოკიდებულია სამუშაო დროის განმავლობაში გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობაზე (იხ. *ხელფასი*).

სანარდო ხელშეკრულება, სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულება, რ-ის მიხედვითაც ერთი მხარე (შემკვეთის) კისრულობს თავისი რისკით შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო მეორე მხარის (შემკვეთის) დავალებით შემკვეთის ან თავისივე მასალით, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მ. 343). მენარდედ, როგორც წესი, გამოდის სოციალ. ორგანიზაცია, რ-იც ასეთ სამუშაოს ასრულებს როგორც სხვა ორგანიზაციისა და საწარმოსათვის, ისე მოქალაქეებისათვის (ავეჯის დამზადება, ბინის რემონტი და ა. შ.). მოქალაქეს შეუძლია იკისროს სამუშაოს შესრულება ს. ხ-ით იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონით არ არის აკრძალული და იმ პირობით, რომ სამუშაოს პირადი შრომით შეასრულებს. ს. ხ-ით გათვალისწინებული სამუშაოსათვის შეიძლება შედგეს მტკიცე ან მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა. თუ სამუშაო სრულდება შემკვეთის მასალით, მენარდე ვალდებულია დაიცვას იგი, ამასთანავე პასუხს აგებს ამ მასალის არასწორი გამოყენებისათვის. მასალის შემთხვევით დაღუპვის ან წახდენის რისკს კისრულობს მასალის მიმცემი მხარე. შემკვეთი მოვალეა მიიღოს ნამუშევარი, გასინჯოს იგი და დაუყოვნებლივ გააფრთხილოს მენარდე ნამუშევრის ნაკლზე, თუ მენარდემ გადაუხვია ხელშეკრულების პირობებს და ამით ნამუშევარი გაუარესდა (ან ნაკლი აღმოაჩნდა), შემკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს ან აღნული ნაკლის უსასყიდლოდ გამოსწორე ან გადაახდევინოს მენარდეს იმ აუცილებელი ხარჯის ანაზღაურება, რაც შემთმა გასწია ასეთი ნაკლის გამოსწორება იხ. საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კო მმ. 343—360. *ნ. წერეთელ*

სანარები, იხ. *წანარები*.

სანარკოზო საშუალებანი, ნივთიე ბები, რ-ებიც არჩევითად მოქმედებენ ცტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვე *ნარკოზის* მდგომარეობას. ორგანიზ შეყვანის მეთოდის მიხედვით ს. ს. შე ლება იყოს საინჰალაციო და არასაინჰაც ციო. საინჰალაციო ს. ს-ს ყო აქროლად სითხეებად (მარტივი ეთე ქლოროფორმი, ტრიქლორეთილი, ფთო ტანი, ქლორეთილი და სხვ.) და აირისე ივითიერებებად (აზოტის ქვეჟანგი, ც ლოპროპანი და სხვ.). ამ ჯგუფის ს. ს დიდი უპირატესობა ისაა, რომ მათი გა ყენებისას შეიძლება ნარკოზის სიღრ რეგულირება, რადგან ისინი სწრაფ შეიწოვება ფილტვებიდან სისხლში ასევე სწრაფად გამოიყოფა ორგანიზმიდ არასაინჰალაციო ს.ს-ს განეკუ ვნება ის ნივთიერებები, რ-ებიც შეჰყა ვენაში (ჰექსენალი, თიოპენტალნატ უმი, პროპანიდიდი, ვიადროლი და სხვ სწორ ნაწლავში (მაგ., ნარკოლანი). ო განიზმში შეყვანისას ისინი არ იწვე აგზნებას, არა აქვთ სასიცოცხლო ცენ რებზე რეფლექსური ხასიათის უარყოფი მოქმედება, მაგრამ მათი გამოყენებ დროს ყოველთვის არ ხერხდება ნარკოზ სიღრმის რეგულირება (ნარკოზის მარ ვა). სამედ. პრაქტიკაში ხშირად ერთდრ ულად იყენებენ სხვადასხვა ს.ს-ს, რ შედეგადაც სუსტდება ან სრულიად ისპო მათი უარყოფითი თვისებები, უმჯობესდ ბა ნარკოზის მიმდინარეობა. ბოლო წლე ში მძიმე ოპერაციების ჩატარებისას ს.ს მოქმედების გასაძლიერებლად ფართო იყენებენ ე. წ. პოტენციურ ნარკოზს, ს-ს-ი და სხვა ნივთიერებების (კუნთების რელა სანტები, ანტიჰისტამინური, ქოლინო- ადრენოლიზური, განგლიომბლოკირ ბელი, ინეიროლეპტიკური საშუალებებ ტრანკვილიზატორები და სხვ.) კომბ ნირებულ მოქმედებას. დამუშავებულ ნეიროლეპტიკებისა და ანალგეტიკებ კომბინირებული ხმარების მეთოდები ს-ის გამოყენების გარეშე.

სანატორიუმი (გვიანდ. ლათ. sanatorium < ლათ. sano — ეკურნავ, ვაჯანსაღებ), ძირითადი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რ-იც განკუთვნილია სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის. განარჩევენ ს-ს მოზრდილთათვის, ბავშვებისა და მოზარდებისათვ აგრეთვე მშობლებისა და ბავშვებისათვ სსრკ-ში ტუბერკულოზური და ბავშვ ს-ები ჯანდაცვის ორგანოების, დანარჩე კი — პროფკავშირების განმგებლობაშ ს-ის სამედ. პროფილი (სპეციალიზაცი დამოკიდებულია კურორტის სამკურნ. შუალებებზე და მისთვის დადგენილ მედ. ჩვენებებზე. ს. შეიძლება იყოს ერ პროფილიანი (ერთგვაროვანი დაავად ბების სამკურნალოდ) და მრავალპროფ ლიანი.

სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებ ს-ის საგზურებში მთლიან ღირებულებ იხდიან ან უფასოდ ღებულობენ, ან კიდე შეღავათით სოცდაზღვევის ხარჯზე. სსრ ში მიღებულია ს-ის შენობის ისეთი ტი რ-შიც შედის ხსვადასხვა ფუნქციური ჯგ ფი: საწოლი ოთახები, სამკურნალო, ბების, კულტმასობრივი მომსახურების, მეურნეო და სხვ. ს. შეიძლება იყოს ცენ რალიზებული (ყველა ფუნქციური ჯგუ განლაგებულია ერთ შენობაში), ბლოკერ ანი (ფუნქციური ჯგუფები განლაგებულ ცალკეულ კორპუსებში, რ-ებიც ერთმანე თან დაკავშირებულია გადასასვლელებით პავილიონური (ჯგუფები განლაგებულ

ეკეულ შენობებში, რ-ებიც არ არის
ომანეთთან დაკავშირებული). ს-ის არ-
ს. სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ
რაც შეიძლება მაქსიმალურად იყოს
კავშირებული ბუნებასთან. პროგრ. ტი-
ს. სანიტ.-გამაჯანსაღებელი დაწესებუ-
ების კომპლექსია, რ-შიც ცენტრალიზე-
ულია ყველა ფუნქციური ჯგუფი ან მისი
ავარი ნაწილები.

ნატრონი, სანაცირებული ან ტასტრონი, *ფანტასტრონი,* ში დამატებითი მმართველი კასკადის ხალებით იქმნება ხერხისებრი ძაბვის ორმირებელი ძირითადი კასკადის მუ-ობის ფორსირებული რეჟიმი; იყენებენ *ულსურ ტექნიკაში* ხერხისებრი ძაბვის ერატორად, რ-ის სამუშაო სტადიის ხან-ძლივობა <10 *მკწმ*-ზე.

ნაყარო სამუშაოები, სასარგებლო ისეულის ღია მეთოდით დამუშავე-ს დროს ფუჭი ქანის (სასარგებლო წია-ეულის თანმხლები ქანების) ნაყარში ისში) დაყრის პროცესი.

ნაყოფე რქა, იხ. *ვაზის რქა.*

ნაშენე მეურნეობა, მეურნეობა, რ-შიც მენებულია ამა თუ იმ ჯიშის მაღალ-ოდუქტიული ცხოველები. მისი ძირი-დი დანიშნულებაა ყველა კატეგორიის ურნეობის მომარაგება მაღალი კლასის აშენე მასალით (განსაკუთრებით მწარ-ებლებით), რაც მთლიანად ჯიშის პრო-ქტიულობის ამაღლებას უზრუნველყოფს. ბკ-ში ს. მ-ის რამდენიმე კატეგორია არ-ობს: 1. *სამომშენებლო,* სადაც ვმოყრილია ჯიშის საუკეთესო სულადო- და ტარდება გაღრმავებული სანაშენე მაობა. აქ გამოზრდილი სანაშენე ცხო-ელები, გარდა საკუთარი ჯოგის რემონ-სა, გამოყენებულია ს. მ-ების შესავსე-ად, სანაშენე მუშაობისათვის და ხელოვ-ური დათესლვის სახელმწ. სადგურების ა სახელმწ. სანაშენე საწარმოების) ორმოებლებით დასაკომპლექტებლად. 2. *ნაშენე საბჭ. მეურნეობა* აშენე ცხოველების ძირითადი რეპრო-ქტორი. აქ გამოზრდილი მწარმოებლები ელმწ. სანაშენე საწარმოების საშუა-ებით გამოყენებულია სამრეწვ. მეურნე-ათა ჯოგების გასაუმჯობესებლად. 3. *ელ-ბათა და საბჭ. მეურნეო-თა სანაშენე ფერმები,* დაც სანაშენე ცხოველებს ძირითადად კუთარი ჯოგის რემონტისათვის ზრდიან. ელა კატეგორიის ს. მ-ში მოშენების ძი-თადი მეთოდია ხალასი მოშენება.

გ. ჯორჯიკია.

ნაშენე მუშაობა მეცხოველე-ბაში, ზოოტექნიკური და ორგანიზე-ული ღონისძიებების სისტემა, რ-იც მიმარ-ულია ცხოველთა მემკვიდრეობის გაუმ-ობესებისა და პროდუქტიულობის ამაღ-ებისაკენ. ს. მ-ის თეორია ემყარება თანა-დროვე ბიოლ. მეცნიერების, კერძოდ გე-ტიკის, მიღწევებს. ს. მ-ის ძირითადი ოოტექ. ღონისძიებებია ცხოველთა სწო-დ გამოზრდა, რაც კარგად განვითარე-ული, მაღალპროდუქტიული ცხოველების პოყალიბების საშუალებაა; ცხოველთა იდან საუკეთესოების გადარჩევა; წყვილ-სწორი შერჩევა, როგორც მაღალი ხა-სხის შთამომავლობის მიღების საშუა-ება; როდესაც საჭიროა ჯიშის გარდაქმ-ან ახლის შექმნა, მათ ემატება ჯიშთა-რისი (ან სახეობათაშორისი) შეჯვარება.

მ-ის მაღალი ეფექტის მისაღწე-დ აუცილებელია ცხოველთა შენახვისა კვების ოპტიმალური პირობების შექმ-ა. ს. მ-ის თითოეული ეს ღონისძიება მრა-ან მარტივ ზოოტექ. ღონისძიებას მოი-ავს: სანაშენე აღრიცხვა, ცხოველთა შე-ასება ფენოტიპისა (პროდუქტიულობა, ატერიერი) და გენოტიპის (მოდგმის სხა, შთამომავლობის ხარისხი) მიხედ-თ, ზოგჯერ ნათესაური შეწყვილება, ხებად მოშენება და სხვ. ს. მ-ის ორგა-ზაციულ ღონისძიებებს განეკუთვნება ჯიშობრივი დარაიონება, სანაშენე წიგ-ნები, ჯიშის საბჭო, ცხოველთა გამოფე-ნები, გამოყვანები, აუქციონები. სსრკ-ში ს. მ. ტარდება მსხვილი სოციალ. მეურნეო-ბების ბაზაზე. პირველი სანაშენე მეურნე-ობები შეიქმნა 1921 ვ. ი. ლენინის ინი-ციატივით. ამჟამად ს. მ-ს ატარებს სპეცია-ლიზებულ სანაშენე მეურნეობათა ქსელი, სახელმწ. სანაშენე საწარმოები, ს. მ-ისა და ხელოვნური დათესლვის სახელმწ. სად-გურები, ჯიშთსაშენები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები. ს. მ-ს საერ-თო ხელმძღვანელობას უწევს სსრკ და მო-კავშირე რესპუბლიკების სოფ. მეურნ. სამინისტროები.

გ. ჯორჯიკია.

სანაცია (ლათ. sanatio — მკურნალობა, გამოჯანსაღება), კაპიტალისტურ ქვეყ-ნებში გატარებული ღონისძიებათა სისტე-მა საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. უმთავრესად ხდება *სააქციო საზოგადოების* ს. იგი *კაპიტალის ცენტრალიზაციის* ერთ-ერთი ფორმაა. ს-ის მეთოდებია: საქციო კაპი-ტალის შემცირება აბ. აქციების გამოშვე-ბის შემცირებით, ძვ. აქციების ნომინალ. ღირებულების დაქვეითება, *ნაციონალი-ზაცია* და სხვ.

სანაცია პირის ღრუსი, სამკურ-ნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რ-იც ტარდება პირის ღრუს გაჯანსაღებისა და სტომატოლოგიური და-ავადებების თავიდან ასაცილებლად. ს. უნდა დაიწყოს ბავშვთა ასაკიდან და ტარ-დებოდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ს. მოიცავს პირის ღრუს გასინჯვას, სარ-ძევე და მუდმივი კბილების, ლორწოვანი გარსის მკურნალობას და სხვ. განსაკუთრე-ბით დიდი მნიშვნელობა აქვს ს-ს ფეხმძი-მე ქალებისათვის, აგრეთვე იმ პირებისა-თვის, რ-ებსაც ხელოვნური კბილები აქვთ, ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვებისათ-ვის (მათი პირის ღრუ უნდა დამუშავდეს სუსტი ანტისეპტიკური ხსნარებით — სო-დიანი ხსნარით, ბორის მჟავათი, წყალ-ბადის ზეჟანგით და სხვ.).

სსრკ-ში ს., როგორც სავალდებულო პროფილაქტ. ღონისძიება, უტარდებათ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავ-შვებს.

ლ. ჭელიძე.

სანაციური რეჟიმი, „სანაცია", პო-ლონეთში 1926—39 წლებში არსებული რე-აქციული რეჟიმის გავრცელებული სახელ-წოდება. „სანაციის" ლოზუნგი დემაგო-გიური მიზნებით წამოაყენეს *ი. პილსუდს-კიმ* და მისმა დამჭაშებმა 1926 მაისის სამხ. გადატრიალების მომზადების პერიოდში. ს. რ. მიწის მსხვილი მაგნატებისა და პოლ. დ.-უცხოური მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს ემსახურებოდა. საგარეო პო-ლიტიკაში აგრესიულ, ანტისაბჭოთა, ჰიტ-ლერელებთან თანამშრომლობის კურსს ახორციელებდა. ს. რ. განამტკიცებს 1935 რეაქციული კონსტიტუციით. ს. რ-ის ან-ტიხალხურმა საშინაო და საგარეო პოლი-ტიკამ პოლონეთი ეროვნ. კატასტროფამდე —1939 სექტ-ში ფაშისტების მიერ პოლ. დროებით დაპყრობამდე — მიიყვანა.

სანაძარო (Sannazzaro) იაკობო (28.VII. 1455, ნეაპოლი, — 1530, იქვე), იტალიე-ლი მწერალი. ავტორია ცნობილი პასტო-რალისა „არკადია" (1480—85 შორის, გა-მოქვეყნდა 1502), რ-მაც ხელი შეუწყო ევრ. ლიტ-რაში პასტორალური ჟანრის განვითარებას. წერდა აგრეთვე ფარსებს, ელეგიებს, ეპიგრამებს და სხვ.

სანაძე გივი ალექსანდრეს ძე (დ. 30.VII. 1929, თბილისი), ქართველი საბჭ. მეცე-ნარეთა ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფე-სორი (1971), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადე-მიკოსი (1983). სკკპ წევრი 1959-იდან. 1952 დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი. 1953—68 მუშაობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტში, 1973-იდან ხელმძღვა-ნელობს თსუ-ში თავისავე შექმნილ ფო-ტოსინთეზის სამეცნ.-კვლ. პრობლემურ ლაბორატორიას. 1982-იდან თსუ-ის მცე-ნარეთა ანატ. და ფიზიოლ. კათედრის გამგე. მუშაობს ფოტოსინთეზის ფიზიოლ. და ბიოქიმ. მექანიზმების საკითხებზე. აღ-მოაჩინა ახალი ფოტობიოლ. მოვლენა — თავისუფალი იზოპრენის ბიოსინთეზი და გამოჰყო იზოპრენი ფოთლებიდან ფოტო-სინთეზის დროს („იზოპრენის ეფექტი", „სანაძის ეფექტი"). მისი ხელმძღვანელობით დადგინდა, რომ იზოპრენის შექმნა შეუძლია იზოლირებულ ქლოროპლასტებ-საც. შექმნა ფოტოსინთეზის დროს ნახ-შირბადის გარდაქმნის რეგულაციის ორი-გინალური კონცეფცია. 1983-იდან აშშ-ის მეცნარეთა ფიზიოლ. სამეცნ. საზ-ბის წევრი.

თხზ.: Биосинтез и выделение изопрена (2-метил-бутадиен-1,3) изолированными хлоропластами листьев тополя, «Доклады АН СССР», 1981, т. 259, № 3, с. 766 (თანაავტ.: М. Л. Мгалоблишвили, А. И. Литвинов); Выделение растениями летучих органических веществ, Тб , 1961; К вопросу о механизме возникновения диена C_5H_8 (изопрена) в листьях растений на свету, «Физиология растений», 1966, т. 13, в. 5; О химической природе растительных выделений.— Физиолого-биохимические основы взаимного влияния растений в фитоценозе, М., 1966.



გ. სანაძე.

სანაძე ვლადიმერ ვლადიმერის ძე (დ. 18. IX. 1918, წულუკიძე), ქართველი საბჭ. ფიზიკოსი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა თსუ (1946). 1950-იდან მუშაობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ლითონებისა და სამთო საქმის ინ-ტში, 1953-იდან ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ზოგადი ფიზ. კათედრის გამგეა. 1958-იდან სამეცნ.-საპრობლემო ლაბორ. ხელმძღვანელი. ს. უმთავრესად მუშაობს მყარი სხეულის ფიზ. დარგში. დაამუშავა სტრუქტურული ანალიზის აბ. პირდაპირი მეთოდი და სხვ. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.



თ. სანაძე.

თხზ.: კრისტალოფიზიკის საფუძვლები, თბ., 1976.

სანაძე თენგიზ ივანეს ძე (დ. 30. 1. 1930, თბილისი), ქართველი საბჭ. ფიზიკოსი, საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974). სკკპ წევრი 1977-იდან. დაამთავრა თსუ (1953). 1956-იდან მუშაობს იქვე, 1956—58 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, 1958—60 — დაბალი ტემპ-რების ფიზ. სამეცნ.-კვლ. ლაბორ. გამგე, 1960-იდან რადიოფიზ. კათედრის გამგე. მისი უმთავრესი შრომები ეხება ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) საკითხებს. ნაშრომთა ციკლისათვის ეპრ-ში (გ. *ბუცხრიკიძესთან* ერთად) მიენიჭა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია (1970).




გ. სანაძე, ავტოპორტრეტი, 1972. მხატვრის კუთვნილება.

თხზ.: Дискретное насыщение неоднородно-уширенных линий ЭПР, «Журнал экспериментальной и теоретической физики», 1967, т. 52, в. 2.

სანაძე კორნელი ბარნაბის ძე [დ. 2. X (19. IX.) 1907, ხონი, ახლანდ. ქ. წულუკიძე], ქართველი საბჭ. ფერმწერი, გრაფიკოსი. საქ. სსრ სახ. მხატვარი (1964). სკკპ წევრი 1947-იდან. საქართვ. რევოლუციონერ მხატვართა ასოციაციის „სარმას" ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში (1922—24). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1929), იქვე ეწეება პედ. მოღვაწეობას (1932-იდან, 1965-იდან პროფესორი). ცნობილია როგორც პორტრეტისტი, პეიზაჟისტი და თემატური სურათების ავტორი. 1930-იან წლებში ერთ-ერთმა პირველმა შექმნა საბჭ. საქართველოს ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფერწერული ტილოების სერიათა ციკლი („გულიკომ ჩადრი მოიხსნა", 1930-იანი წწ. საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი, თბილისი). ს-ის შემოქმედებას ადრინდ. საფეხურზე ახასიათებდა დეკორატიულობა, ფორმათა გამარტი-



გ. სანაძე, „პოეტი ვაჟა-ფშაველა", 1960, მხატვრის კუთვნილება.



სანგრევი ჩაქუჩი. ვიბროუსაფრთხო პნევმატიკური სანგრევი ჩაქუჩის სქემა: 1 — სახელური; 2 — ამორტიზატორი; 3—ზამბარა; 4—სარქველი; 5 — საჩერებელი რგოლი; 6—ლულა; 7—საცემელი (სარტყამი); 8—ბუშტრული ზამბარა; 9 — საჩხელტი; 10—ნიპელი.

ვება, უბრალოება, მუქი ფერადოვნება შემდეგში მხატვარი გაიტაცა შუქ-ჩრდილის, პრობლემებმა. ნამუშევრები: „მ. კვაჭაძის პორტრეტი" (1947, საქართვ. ხელოვნების მუზეუმი, თბილისი), „ვ. ჭაბუკიანი ოტელოს როლში" (1957, საქართველოს სურათების გალერეა, თბილისი), გ. ტაბიძისა (1936 — 59) და ვაჟა-ფშაველას (1964—80, ორივე მხატვრის კუთვნილება), მარჯანიშვილის (1957, საქართვ. სურათების გალერეა, თბილისი) პორტრეტები. ავტორია ლექსთა 3 კრებულისა (1927, 1968, 1975, თბილისი).

რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1977). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

სანაფვერალო ნათესები, სასოფლო-სამეურნეო მცენარეები, რ-ებსაც ზაფხულში მოდგომის პერიოდში თავთავიანი მარცვლოვნების მოსავლის აღების შემდეგ თესავენ და მოსავალს იმავე წელს იღებენ. ნაწვერალზე დასათესად საქართველოში ყველაზე მეტად შიღებულია სიმინდი, ერთწლოვანი ბაკვები ბალახები (ცერცველა, ბარდა, ცულისპირა და სხვ.).

სანაჯყებიო, სოფელი გეგეჭკორის რ-ნში (კურზუს სოფსაბჭო), მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 350 *მ*, გეგეჭკორიდან 33 *კმ*. კურზუს კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, საფერშლო-სამაენო პუნქტი.

„სანახაოგა", ქართული ჟურნ. „ხელოვნების" ყოველკვირეული დამატება, გამოდიოდა 1925 — 26 თბილისში ქართ. და რუს. ენებზე (რუს. ენაზე ერქვა „ზრელიშჩე"). გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. გამოიცა 1925 № 1 — № 7; 1926 № 8.

სანახშირე, სოფელი ზესტაფონის რ-ნში, მდ. ყვირილის მარცხ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ზედა წიფლავაკე, მარტოთუბანი, პირველი მაისი, ქვედა წიფლავაკე). ზ. დ. 180 *მ*, ზესტაფონიდან 10 *კმ*, მარტოთუბნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. ს. კიროვის სახ. წიფლავაკის კოლ-ბა (მეფუტკრეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, ამბულ., ფოსტა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია შუა საუკ. ეკლესია; შიგნით მოხატულია, არის ლაპიდარული წარწერები.

სანახშირო, სანახშირე, ძველ საქართველოში განსაკუთრებული ქოსებრივი საზღაური, რ-საც მესისხლეობა შორის ზავის ჩამოგდების შემდეგ დამნაშავე დაზარალებულს *„სისხლის"* გადახდის საწინდრად აძლევდა. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „სანახშირე ესე არს რა მესისხლენი დაზავდენ, პირველად სანდო რამე მისცენ სისხლის გარდაკდამდე". ს., ისევე როგორც *საპირო*, არ შედიოდა „სისხლის" ანგარიშში, მისი *წინაგასაძღუანებელი* საზღაური იყო. ს-ს ოდენობა დაზარალებულის სოც.-წოდებრივი მდგომარეობისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. ს. გათვალისწინებულია *ბაგრატ კურაპალატის სამართლისა* (მ. 159) და კანონიკური სამართ. (მ. 162) ფრაგმენტებში.

ლიტ. იხ. სტ-თან სა პ ი რ ო.

ი. ფუტკარაძე.



ფ. სანდი.

სან-ბერნარდინო (San Bernardino), ქალაქი აშშ-ის სამხრ.-დას. ნაწილში, კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჯელესის აგლ-ით. 117 ათ. მცხ., ქ. რიალსაიდსა და გარეუბნებთან ერთად—1,5 მლნ. (1980). სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად ციტრუსები) ცენტრი. რადიოელექტრონული, ავიასარაკეტო, კვების, ნავთობგადასამუშ. და ქიმ. მრეწვ., შავი მეტალურგია, ლითონდამუშაება. კლიმ. კურორტი.

სან-ბერნარდუ-დუ-კამპუ (São Bernardo do Campo), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, სან-პაულუს შტატში. სან-პაულუს გარეუბანი. 348 ათ. მცხ. (1980). მანქანათაშ., საფეიქრო, ქიმ., ხის დასამუშ. მრეწველობა.

სანგალოები (Sangallo), აღორძინების ხანის იტალიელ არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ოჯახი. ცნობილი არიან: ჯ უ ლ ი ა ნ ო დ ა ს. (ნამდვ. სახელი ჯ ა მ ბ ე რ ტ ი, Giamberti) (1445, ფლორენცია, — 20. X. 1516, იქვე), არქიტექტორი, ინჟინერი და მოქანდაკე. მისდევდა და ავითარებდა *ბრუნელესკის* ტრადიციებს. ნამუშევრები: ვილა პოჯო-ა-კაიანოში ფლორენციის მახლობლად (1485-იდან); ეკლესია სანტა-მარია დელე კარჩერი პრატოში (1484—95) არის რენესანსული ცენტრ.-გუმბათოვანი ტაძრის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდ. ნიმუში. როგორც მოქანდაკე, ჯულიანო და ს. ახლოს იდგა *დონატელოსთან*. სკულპტურულ ნამუშევართაგან აღსანიშნავია: სასეტის ოჯახის საფლავის ძეგლი სანტა-ტრინიტას ეკლესიის კაპელაში (ფლორენცია), მარმარილო, 1486. ა ნ ტ ო ნ ი ო დ ა ს. უ ფ რ ო ს ი (1455 ან 1463, ფლორენცია, — 17. XII. 1534, იქვე), არქიტექტორი და მოქანდაკე. მუშაობდა ძმასთან, ჯულიანო და ს-თან. მის ნამუშევართაგან მნიშვნელოვანია სანბიაჯოს ეკლესია მონტეპულჩანოს (ტოსკანა) მახლობლად, 1518—45. ა ნ ტ ო ნ ი ო დ ა ს. უ მ ც რ ო ს ი (ნამდვ. სახელი კ ო რ დ ი ა ნ ი, Cordiani) (1483, ფლორენცია, — 3. VIII. 1546, ტერნი, უმბრია), ჯულიანო და ს-სა და ანტონიო და ს. უფროსის ძმისწული და მოწაფე. 1503-იდან მუშაობდა რომში, ბრამანტეს სახელოსნოში. რაფაელის გარდაცვალების შემდეგ (1520) წმ. პეტრეს ტაძრის მთავარი არქიტექტორი რომში. ნამუშევრები: პალაცო ფარნეზე (1513—34, დაამთავრეს მიქელანჯელომ და ჯ. დელა პორტამ), სანტო-სპირიტოს ბანკი (1523—24) და სხვ.

სანგარი, მიწის საველე ნაგებობა, უმარტივესი შესაფარი, რ-საც ბრძოლაში იყენებენ საცეცხლე პოზიციად და პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექ. შესაფარებლად. ს. შეიძლება იყოს ერთეული მებრძოლისათვის, ათეულისათვის ან სატყვიამფრქვეველო, საქვემეხო, სატანკო და სხვ. ერთეულ ს-ს მებრძოლი, ჩვეულებრივ, თვითონ თხრის მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ. ერთეულ ს-ებს თხრილებით აერთებენ და იღებენ ს-ს ათეულისათვის (სიგრძე 50—60 *მ*). ს-ს ღაცვითი უნარიანობის გასადიდებლად ფონის შესაბამისად შენიღბავენ და ცალკეულ მონაკვეთზე გადახურავენ.

სანგარის სრუტე, სრუტე კ-ებს პონსიუსა და ჰოკაიდოს შორის, იხ. *ცუგარუ*.

სანგვინი (ფრანგ. sanguine < ლათ. sanguis — სისხლისფერი), სხვადასხვა ტონის წითელ-ყავისფერი ფანქრები (ბუდის გარეშე). არსებობს ბუნებრივი (ნატურალური) და ხელოვნური. ს. შედგება კაოლინისა და რკინის ჟანგეულებისაგან. ს-ის დამზადების ტექნიკა ცნობილია *რენესანსის* ეპოქიდან (ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი). განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XVIII ს-ში ნატურიდან ხატვისას.

სანგო, სა მ ე ფ ო ბ ა, პერიოდი ჩინეთის ისტორიაში (220—265 ან 220—280), სახელი ეწოდა იმ სამეფოთა რიცხვის მიხედვით, რ-ებიც წარმოიშვნენ *ხანის* იმპერიის დაცემის (220) შემდეგ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო პოლიტ. დაქუცმაცებულობა და განუწყვეტელი ბრძოლები სამ სამეფოს — ვეის, უსა და შუს — შორის. შუს სამეფო თავისი არსებობის პირველ ნახევარში წარმატებით ომობდა. შემდგომში იგი შინაბრძოლების შედეგად ძლიერ დასუსტდა და 263 შეუერთდა ვეის სამეფოს. 265 ვეის სამეფოში ძალაუფლება ხელთ იგდო მხედართუფროსმა სიმა იანმა, რ-მაც იმავე წელს დაარსა დას. ძინის (265—316) დინასტია და 280 დაასრულა უს დაპყრობა.

სან-გონსალუ (São Gonçalo), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროს შტატში, გუანაბარის უბის ნაპირზე. 660 ათ. მცხ. (1980). რკინიგზის სადგ რი. საშენ მასალათა, ქიმ., ნავთობგადამუშ., კვების მრეწველობა. შავი მეტალუ გია.

სანგრევი, სამუშაო ადგილი სასარგებლ წიაღისეულის ან ფუჭი ქანის დამუშავებ დროს. 1. ს. მიწისქვეშა დამუშავების წარმოადგენს გვირაბის იმ ზედაპირს, რ სამთო სამუშაოების შედეგად განიც სიერცეში გადაადგილებას. 2. ს. სასა გებლო წიაღისეულის ღია მეთოდით დამ შავების დროს *სპირაჟის* უბანია, რ-ს უშუალოდ იღებს ექსკავატორი. განლა ბის მიხედვით ს. არის გეერდითი (ტორ ლი) და ფრონტალური. 3. ს. ჭაბურღ ლის ბურღვისას არის ჭაბურღილის ფს რი, რ-ის ზედაპირს ანგრევენ საბურ ინსტრუმენტით.

სანგრევი ჩაქუჩი, დარტყმითი მოქ დების მექანიკური ხელის ინსტრუმენტ იყენებენ მასივიდან ქანის მოსანგრევა გაყინული გრუნტის გასაფხვიერებლად, ფალტისა და ბეტონის საფრის დასარღ ვად და სხვ. ს. ჩ-ის შემსრულებელი ორ ნოა (ნახ.) საჩხვლეტი, სატეხი ან ნიჩა ს. ჩ-ის კორპუსში მოთავსებული საცემე სამუშაო ინსტრუმენტის ბოლოზე არტყ 1000—1500-ჯერ წთ-ში და ასრულებს სარგებლო მუშაობას. ს. ჩ. გამოყენებუ ენერგიის მიხედვით არის პნევმატიკუ (მეტად გავრცელებული), ელექტრული ბენზინით მომუშავე. სსრკ-ში გაერცელ ბულია მსუბუქი ვიბროუსაფრთხო პნევ ტიკური ს. ჩ., რ-ის მასაა (სამუშაო ი ტრუმენტის გარეშე) 7 *კგ*.

სანდავე, ვ ა ს ა ნ დ ა ვ ე, ხალხი ტ ზანიაში. ცხოვრობენ მდ-ებს ბუბუსა მპონდეს შორის. რაოდ. 40 ათ. კაცზე მე (1978, შეფასება). ლაპარაკობენ სანდა აგრეთვე ვანიატურუ (ბანტუ ოჯახი) ენ ზე. უმრავლესობა ტრად. რელიგ. კუ ტებს ინარჩუნებს, ნაწილმა ქრისტიან ბა მიიღო. მისდევენ მიწათმოქმედებ მესაქონლეობას, ნადირობას, თევზჭერ

სანდალი, აფრიანი გემი, რ-საც აქვს ა ნაკლებ 2 ანძისა, ამასთან ყველა ანძა აქვს ირიბი *საიალქნო აღჭურვილო* ს. არის სატრანსპ., სარეწი, სასპორტო სასწავლო. ს-ის წყალწყვაა 100-იდან 5 ტ-მდე, თანამედროვე ს-ების უმრავლესო აქვს შიგაწვის ძრავები. არის განსაკუთ ბული სახის ს. მაგ., ს.-ბარკი (*ბარკ ტინა*), ს.-ბრიგი (*ბრიგანტინა*).

სანდარაკი (ბერძნ. sandarakē), ყვი ლი ფისი, რ-იც მიიღება ავსტრალ. კალ რისის (Callitris preissi) და ჩრდილ აფრ. სანდარაკის ხის (Tetraclinis arti lata) ქერქის დასერვით (ორივე ხე კეი როზისებრთა ოჯახს მიეკუთვნება). ს-ს უფერულ ლაქს ამზადებენ, რ-საც ფერ რასა და ფოტოგრაფიაში იყენებენ.

სანდერანი (Senderens) ჟან ბატ (27. I. 1856, ბარბაშანი, — 27. IX. 19 იქვე), ფრანგი ქიმიკოსი, პარიზის მე აკად. წ.-კორ. (1922). ს-მა 1897 დაიწ და პ. *საბატიესთან* ერთად განახორციე ორგ. ნაერთების კატალიზური პიდრი ბის, აღდგენისა და დეჰიდრირების რე ციები აირად ფაზაში კატალიზატო ბის (ლითონებისა და მათი ჟანგეულე ფხვნილების) თანაობისას. შეისწავ სპირტების კატალიზური დეჰიდრატაც სპირტების აღდეჰიდებად და კეტონებ ჟანგვის რეაქციები Ag, Zn და ვანადიუ ჟანგეულების თანაობისას და სხვ.

სანდერლენდი (Sunderland), ქალ დიდ ბრიტანეთში, ტაინ-ენდ-უირის საგ ფოში, ნავსადგური ჩრდილოეთის ზღ ნაპირზე, მდ. უირის ესტუარში. 295 მცხ. (1981). გემთმშენებლობის დ ცენტრი. ამწევ-სატრანსპ. და სამთო წყობილობის, რადიოელექტრონიკის კეთობათა დამზადება; საავიაციო, ხის სამუშ., მინის მრეწველობა. ნავსადგურ მომსახურე საწარმოები. იღებენ და გააქ ქვანახშირი.

ანდი (Sand) ჟორჟ (ნამდვ. სახელი და გვარი ავრორა დიუპენი, Dupin; ქმრის გვარი — დიუდევანი, Dudevant) (1. VII. 1804, პარიზი, — 8. VI. 1876, ნოანი, ენრის დეპარტ.), ფრანგი მწერალი ქალი. 31 თაების მეგობარ ჟ. სანდოსთან ერთად მოაქვეყნა რომანი „როზი და ბლანში". ბელი გაუთქვა პირველივე დამოუკიდებელმა რომანმა „ინდიანა" (1832; ქართ. თარგმ. 1949); ამ წიგნში, ისევე როგორც მომდევნო რომანებში „ვალენტინი" (1832), „ლელია" (1833), „ჟაკი" (1834) და სხვ., ასმული პრობლემები არ სცილდებოდა გახური კონფლიქტებისა და ინდივიდ. ბოხის ჩარჩოებს. 30-იან წლებში ს. დახლოვდა მემარცხენე რესპუბლიკელებს; ეცნო უტოპიური სოციალიზმის იდეებს; დღი იყო ავრეთვე 40-იანი წწ. პოლიტ. ელენების, განსაკუთრებით 1848 რევ. ვლენა მწერალზე. ამ პერიოდის ნაწარებებში გაძლიერდა რეალისტური ელენტი, თუმცა მაშინდელ პათოსთან ერად თავს იჩენდა შემრიგებლური ტენდენებიც, უტოპიური სოციალიზმის ქადაგე და პატრიარქალური ცხოვრების იდეაიზაციაც [რომანები „მოპრა" (1837), ერასი" (1841), დილოგია „კონსუელო" (1842 — 43), „გრაფინია რუდოლშტი" (1843—45), „უანა" (1844). „ანბოელი მეწისქვილე" (1845), „ბატონ ტუანის შეცოდება" (1847) და სხვ.]. მოიანებით ს. წერდა ინტიმური ხასიათის ომანებს. მას ეკუთვნის მრავალი სხვა ომანი, მოთხრობა, წერილი, მემუარები ემი ცხოვრების ამბავი" (1855) და სხვ. ს-ის შემოქმედებას საქართველოში XIX დან იცნობენ. 1865 დ. ყიფიანმა გაქვეყნა „გრიბულ. ზღაპრული მოთხრობი ჟორჟ ზანდისა", 1884 „იერიის" ფურცებზე იბეჭდებოდა მისი „ლელია", რ-იც რგმნა ნ. ერისთავმა; ა. გარსევანიძემა დაწერა სტატია „საფრანგეთის ერალი ქალი ჟორჟ ზანდი" (ტფ., 1927); 75 „დროებაში" დაიბეჭდა „ჟორჟ ზანს ახალი რომანი", 1876 — „მწერალ რჟ ზ. დის გარდაცვალება" და „ჟორჟ ნდის დასაფლავება", 1904, 18. VII, ნობის ფურცელში" — „ჟორჟ ზანდი, 100 ლი დაბადებიდან", 1904 „მოამბეში" — ზურაბაშვილის სტატია „ჟორჟ ზანდი" სხვ.

თხზ.: Œuvres choisies, P., 1937; Соч. т. 1—9, Л., 1971—74; ინდიანა, თბ., 49; ზოზაიკის ოსტატები, თბ., 1969.

ლიტ.: მ ო რ უ ა ა., ჟორჟ სანდი, თბ., 77; История французской литературы, 2, М., 1956.

ნ-დიეგო (San Diego), ქალაქი აშშ-ის ნაროკეანურ სანაპიროზე, კალიფორის შტატში, მექს. საზღვართან. 800 ათ. ბ., გარეუბნებიანად 1,8 მლნ. (1980). დი საზღვ. ნავსადგური. მნიშვნელოვანი ს.-სამ. რ-ნის (ციტრუსები) ცენტრი. ეწვ. მთავარი დარგია საავიაციო მრეწლობა. რადიოელექტრონიკა, გემთმშენებლობა და გემების რემონტი. ლითონმუშაობა. კეების (უმთავრესად ხილგონსერვო) და ხის დასამუშ. მრეწველობა. კურორტი. უნ-ტი. ს.-დ. დააარსეს ბანელებმა 1769.

ანდინო (Sandino) აუგუსტო სესარ (18. 1895, ნიკინოომო, მასაიის დეპარტ., — II. 1934, მანაგუა), ნიკარაგუას ეროვლი გმირი, გენერალი (1926). დაიბადა ხეხის ოჯახში. 1926-იდან ჩაება ეროვნ. ბმათ. ბრძოლაში ამერ. იმპერიალისტებიდა ადგილ. რეაქციის წინააღმდეგ. 1927 თავეში ჩაუდგა პარტიზ. ომს აშშ ჯარების წინააღმდეგ. ბრძოლა ოკუპანტების ნააღმდეგ მალე სამოქალაქო ომში გადარდა. 1933 იანვ-ში ქვეყნა ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს. მთავრობამ ს. ნაგუაში გამოიძახა ვითომდა სამოქალაქო ომის შეწყვეტის თაობაზე მოსალაპარაკებლად და მოღალატურად მოკლა.

ანდი-ტაიმზ" („The Sunday Times"), ნდონის გავლენიანი საკვირაო გაზეთი. გამოდის 1822-იდან ლონდონსა და მანჩესტერში; გამოსცემდა კომპანია „ტაიმზ-ნიუსპეიპერზ ლიმიტიდი". 1982-იდან ეკუთვნის ავსტრალ. მაგნატს რ. მერდოკს. ბეჭდავს პოლიტ. ინფორმაციას, კომენტარებს საშინაო და საერთაშ. აქტუალურ პრობლემებზე, მასალას სპორტისა და კულტ. საკითხებზე და სხვ. გაზეთის ძირითადი მკითხველები არიან მსხვილი და საშ. ბურჟუაზიის, აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენლები. აქვს ილუსტრირებული დანართი. ტირაჟი 1,36 მლნ-მდე (1984).

სანდრარი (Cendrars) ბლეზ (ნამდვ. სახელი და გვარი ფრედერიკ ზაუზერი, Sauser) (1. IX. 1887, ლა-შო-დე-ფონი, შვეიცარია, — 21. I. 1961, პარიზი), ფრანგი მწერალი. მისი ცნობილი პოემებია „აღდგომა ნიუ-იორკში" (1912), „ტრანსციმბირის ექსპრესისა და პატარა ფრანგი ჟანის პროზა" (1913). ს-მა დიდი გავლენა მოახდინა სიურრეალისტებზე, ხარკი მოუხადა კუბიზმს. მისი ლირიკის მთავარი ჟანრია „ელვისებური" ნარკვევი — თავისუფალი ლექსით დაწერილი რეპორტაჟი („მოგზაურობის ფურცლები", 1924). წერდა რომანებსა და ლირ. ავტობიოგრ. ნაწარმოებებსაც.

სანდუნოვები, რუსული თეატრის მოღვაწეთა ოჯახი. ნ ი კ ო ლ ო ზ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე ს. [13 (24). X. 1769—7 (19). VI. 1832], დრამატურგი და მთარგმნელი. მოსკ. უნ-ტის პროფესორი (სამოქალაქო და სისხლის სამართლის). წარმოშობით ქართველი ზანდუკელი. როგორც მსახიობი და რეჟისორი მონაწილეობდა მოყვარულთა სპექტაკლებში. პირველმა თარგმნა რუსულად შილერის „ყაჩაღები" (1814). იგი მრავალი პიესის ავტორია. ს ი ლ ა ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე ს. [1756, მოსკოვი, — 27. III (8. IV). 1820, იქვე], დრამ. მსახიობი. ნ. ს-ის ძმა, სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში. 1783 გამოდიოდა პეტერბ. სამეფო კარის სცენაზე. 1791 — დაბრუნდა მოსკოვში, მოღვაწეობდა ჯერ პეტროვკის (მედოქსის), თეატრში, ხოლო 1806 — 10 მოსკ. საიმპერატორო თეატრში. ასრულებდა კომედიური და სახასიათო როლებს (სკაპენი — მოლიერის „სკაპენის ოინები" და სხვ.). ე ლ ი ს ა ბ ე დ ს ე მ ი ო ნ ი ს ა ს უ ლ ი ს. (ურანოვა) [1772 (17777), პეტერბურგი, — 21. XI (3. XII). 1826, მოსკოვი], საოპერო და საკონცერტო მომღერალი (მეცო-სოპრანო). ს. ნ. *სანდუნოვის* მეუღლე. 1791 პეტერბ. თეატრ. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ერმიტაჟის თეატრში. 1794 გამოდიოდა მოსკ. სცენაზე, 1813—24 — კვლავ პეტერბურგში. მღეროდა მთავარ პარტიებს მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტასა" და ფ. კაუერის „დნეპრელ ალში". შეასრულა ლიზას როლი ილინის დრამაში „ლიზა ანუ მადლიერების დღესასწაული".

საკონცერტო ესტრადაზე დაამკვიდრა რუს. ბალხ. სიმღერები.

ლიტ.: რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი გ., მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა, კრ.: ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შედგ. ვ. შადურის მიერ, თბ., 1962; შ ა ლ უ ტ ა შ ვ ი ლ ი ნ., ძმები ზანდუკელი-სანდუნოვები, თბ., 1965.

სანებელი, სოფელი ქარელის რ-ნში (კეხიჯვრის სოფსაბჭო), მდ. ძამის ხეობაში. ზ. დ. 670 *მ*, ქარელიდან 5 *კმ*. კეხიჯვრის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. კეხიჯვარში (1 *კმ*).

სანები, ძველი დასავლურ-ქართული ტომი. *სტრაბონის* (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.), პლინიუს უფროსის (ახ. წ. I ს.), ფლავიუს *არიანეს* (ახ. წ. II ს.) და სხვა ავტორთა ცნობით, ბინადრობდნენ ჭ. ტრაპეზუნტის მახლობლად. ძვ. წ. I—ახ. წ. II სს-ში ისინი ჩრდ.-აღმ-ით მდინარე ოფისამდე (ახლანდ. სულან-ლუ) აღწევდნენ. ტრაპეზუნტსა და ოფისს შორის მდებარე ზღვისპირა ზოლის გარდა მათი განსახლების ფარგლებში შედიოდა ახლომახლო მთიანი რ-ნებიც. პლინიუსი ტრაპეზუნტის ოლქში მოსახლე ს-ს *ჰენოხებს* უკავშირებს. იგივე ავტორი ს-ს იხსენიებს კოლხეთის სანაპიროს სხვა ადგილასაც. მდ. ქარიენტ ცივის მიდამოებში. სამეცნ. ლიტრაში საბოლოოდ არ არის დადგენილი, თუ რა ბგერით შინაარსს დებდნენ ბერძენი და რომაელი ავტორები ს-ის თავსართ ასოში. ზოგიერთი მკვლევრის (ს. ყაუხჩიშვილი) აზრით, „Σάνοι" ფორმა „ჭან" სახელის ან მისი რომელიმე ვარიანტის ბერძნულად გადმოცემის ცდას წარმოადგენს, ზოგის (ა. ჩიქობავა) ვარაუდით, „სანი" იგივეა, რაც მეგრელთა საერთო სატომო სახელი „ზანი", ხოლო ს. ჯანაშიას მტკიცებით, ბერძნულ-რომაულ „სან-ნ-ში" თავკიდური ბგერა სწორედ ს-დ უნდა იკითხებოდეს. მისი აზრით, „სანი" ამოსავალი ფორმაა, რ-ისაგანაც შემდეგში, როგორც საკუთარი სატომო სახელები, ჩამოყალიბდა ჩრდილოელი კოლხებისათვის „ზანი", ხოლო სამხრეთელი კოლხებისათვის — „ჭანი". ბიზანტ. მწერლები (პროკოპი კესარიელი) ს-ის თავკიდურ ბგერას უკვე „Τ ჴ" „ასოთკომპლექსით გადმოსცემდნენ („Τξάνοι" ანუ ჭანები). ზოგიერთი ბიზანტ. ავტორის ვარაუდით, „Τξάνοι"— „ჭანი" მხოლოდ მდაბიური ფორმაა „სანისა", ევსტათი თესალონიკელის თანახმად, სახელწოდება „სანი" ახ. წ. XII ს-შიც კი ცოცხალი ფორმა იყო. იპოლიტე პორტელისა (ახ. წ. III ს.) და ევსები კესარიელის (ახ. წ. IV ს.) ცნობით, „სანი" იგივეა, რაც „სანიკი" („სანიგი"). თეოდორიტე კვირელის (ახ. წ. V ს.) გადმოცემით, ს. ლაზებისაგან განსხვავებული ცალკე ტომია. ახ. წ. პირველ საუკუნეებში ტრაპეზუნტის მახლობლად მცხოვრებ ს-ს მეფე არ ჰყავდათ, ძვ. წ. I ს-იდან ისინი ხარკს უხდიდნენ რომაელებს, მაგრამ ს. ვერ ურიგდებოდნენ მძიმე გადასახადებს და ეურჩებოდნენ მათ. რომაელთა ეკონ. შეივიწროებისა და სამხ. რეპრესიებისაგან თავის დასაღწევად ს. იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ ზღვის სანაპირო რ-ნები და მიუვალ მთებში გამაგრებული ადგილებისათვის შეეფარებინათ თავი. ახ. წ. VI ს-ში პროკოპი კესარიელი მათ უკვე მდ. ბოასის (ჭოროხის) სათავეებში, ახლანდ. პონტოს მთაგრეხილის აღმ. ნაწილის გადაღმა მოიხსენიებს (იხ. *ჭანები*).

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1965.

ლიტ.: მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები), თბ., 1974; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, [ტ.] 3, თბ., 1959.

მ. ინაძე.

სანეევი ვიქტორ დანილას ძე (დ. 3. X. 1945, სოხუმი), საბჭ. სპორტსმენი, მძლეოსანი. სსრკ სპორტის ოსტატი (1964), სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1967), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1968). სკკპ წევრი 1976-იდან. 1969 დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინტი. 1973 — საქართვ. ფიზკულტურის ინტი. სსრკ ექვსგზის (1968 — 70, 1973—74, 1978), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ორგზის (1971, 1975) ევროპის ორგზის (1969, ათენი; 1974, რომი), დახურულ შენობაში ევროპის ჩემპიონატის ექვსგზის (1970 —72, 1975 — 77), XIX (1968, მეხიკო), XX (1972, მიუნხენი) და XXI (1976, მონრეალი) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სამხტომში; XXII ოლიმპიური თამაშების 1980, მოსკოვი) ვერცხლის პრიზიორი. ევრ. თასის სამგზის (1967, 73, 75) მფლობელი. სამჯერ იყო მსოფლიო რეკორდსმენი (უმაღლესი შედეგი — 17,44 *მ*, 1972, მიუნხენი). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტ. რევ., შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის ორდენები-



ა.ს. სანდიხი.



გ. სანეევი.

თა და მედლებით, აგრეთვე საერთაშ. ოლიმპიური კომიტეტის ვერცხლის მედლით (1982).

ლიტ.: Виктор Санеев. Автор-сост. Е. Б. Чен, М., 1978 (Серия «Герои Олимпийских игр»).

სანელებელი მცენარეები, მცენარეები, რ-თა სხვადასხვა ნაწილი დიდი რაოდენობის არომატულ ნივთიერებებს შეიცავს. გავრცელებულია ყველგან, უფრო ტროპიკებში, მ. შ. ბევრია ხე და ბუჩქი. მათგან აღსანიშნავია: მიხაკისა და დარიჩინის ხე, ვანილი, წიწაკა, პილპილი და სხვ. სსრკ-ში ს. მ-ის უმეტესობა ბალახოვანია. ფართოდაა გავრცელებული კამა, ოხრახუში, ქინძი, წიწაკა, ნიახური, მდოგვი, რეჰანი, ხახვი, ნიორი და სხვ., სუბტროპიკებიდან — კეთილშობილი დაფნა და სხვ. ს. მ-ს იყენებენ კულინარიასა და მედიცინაში.

სანელსაცხებლე, ბალზამარიუმი, უნგვენტარიუმი, სურნელოვანი ზეთებისა და ნელსაცხებლის შესანახი და გადასატანი ჭურჭელი. ძვ. წ. II ათასწლეულში მინის ს-ების დამზადება დაიწყეს ეგვიპტესა და სირიაში — ძვ. სამყაროში ნელსაცხებლის უმთავრეს მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნებში. უძველესი ს-ები მზადდებოდა ფერადი გაუმჭვირვალე მინისაგან, რისთვისაც იყენებდნენ ე. წ. თიხის გულგულას, ამ მეთოდით დამზადებული მინის სხვადასხვა ფორმის ს-ები (ამფორისკები, არიბალოსები, ალაბასტრონები, იონოქოიები) განსაკუთრებით გავრცელდა ძვ. წ. VI—IV სს-ში და დიდი რაოდენობით გადიოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდან (სირია, ფინიკია, ეგვიპტე). ამ დროის ს-ები ნაპოვნია საქართველოშიც (წალკა, ბრილი, ვანი, ფიჭვნარი). ამავე მეთოდით არის დამზადებული თბილისში აღმოჩენილი ძვ. წ. I — ახ. წ. I სს. ფერადი მინის ალაბასტრონი. უნიკალურ ს-ებს ამზადებდნენ ქვისაგან (ალებასტრი, მარმარილო, მთის ბროლი, აქატი და სხვ.) და ძვირფასი ლითონისაგანაც. მასობრივ წარმოებაში მინას კონკურენციას მხოლოდ თიხა უწევდა, განსაკუთრებით ადრინდ. ანტ. და ელინისტურ ხანაში. ძვ. წ. VI—IV სს-ში საბერძნეთში ამზადებდნენ სხვადასხვა ფორმის თიხის ს-ებს (არიბალოსები, ალაბასტრონები, ამფორისკები, ლეკითოსები, ასკოსები და სხვ.). ძვ. წ. IV ს. დასასრულიდან თითისტარის ფორმის თიხის ს-ების (უნგვენტარიუმების) წარმოება ფართოდ გავრცელდა მთელ ელინისტურ სამყაროში და შემორჩა რომაულ ხანამდე, სანამ მას საბოლოოდ გამოდევნიდა მინის ს-ები. ელინ. და რომაული ხანის თიხის უნგვენტარიუმები და ამფორისკები აღმოჩნდა საქართველოშიც (ვანი, დაბლაგომი, ეშერა, სამადლო, ჟინვალი, ურბნისი). ზოგიერთი მათგანი ადგილ. ნაწარმია. ახ. წ. I ს-იდან ფართოდ გავრცელდა გამობერვის წესით დამზადებული მინის ს-ები, რ-ებიც უკვე გამჭვირვალე მინისა იყო და გამოირჩეოდა ფორმათა მრავალფეროვნებით. I—III სს-ში მათი წარმოება ანტ. სამყაროს მრავალ პუნქტშია დადასტურებული (სირია, ეგვიპტე, იტალია, რაინის ოლქი, ჩრდ. შავიზღვისპირეთი და სხვ.). ს-ებს ძველად იყენებდნენ არა მარტო ყოფაში, არამედ სამგლოვიარო რიტუალშიც, ამიტომ ხშირად გვხვდება სამარხებში. ს-ები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოში გათხრილ I—III სს. სამაროვნებშიც (ურეკი, ბორი, კლდეეთი, ზღუდერი, სამთავრო, ურბნისი და სხვ.). ისინი ძირითადად შემოტანილია. IV ს-იდან კი საქართველოში აღმოჩენილი მინის ს-ების უმრავლესობა ადგილ. ნაწარმია. VI—VIII სს-ში ს-ები საქართველოდან მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

ლიტ.: საგინაშვილი მ., ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970; უგრელიძე ნ., ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967; Гагошидзе Ю. М., Самадло, Тб., 1979; Fossing P., Glass Vessels before Glass-Blowing, Cph., 1940.

მ. საგინაშვილი.

სანერგე, მიწის ნაკვეთი, სადაც მცენარის ნერგი გამოჰყავთ. ნერგის გამოყვანა შეიძლება თესლით, რქის ან ტოტის დაფესვიანებით, მყნობით. ს-თვის საჭიროა ქარისაგან დაცული, მზიანი ნაკვეთი, ივი ნოყიერი, მსუბუქი, ლამიანი უნდა იყოს, კირს მცირე რაოდენობით შეიცავდეს, მცენარეს რგავენ, როცა ნიადაგის ტემპ-რა 8—12°C აღწევს. ზაფხულის განმავლობაში საჭიროა ნიადაგის მორწყვა 2—3-ჯერ, ორგ. და მინერ. სასუქის შეტანა, გაფხვიერება, მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ს-დან ნერგს იღებენ გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე.

რ. რამიშვილი.

სანერწყვე ჯირკვლები, ადამიანისა და ცხოველების პირის ღრუს ჯირკვლები, რ-ებიც წარმოქმნიან ნერწყვს. ს. ჯ. ეწოდება აგრეთვე უხერხემლო ცხოველთა (ჭიები, ობობასნაირები, მწერები, მოლუსკები) პირის აპარატთან დაკავშირებულ ჯირკვლებს, რ-თა სეკრეტი ზოგჯერ შეიცავს ნაბშირწყლების ან ცილების დამშლელ ფერმენტებს (ზოგიერთი ჭია, მწერი), სისხლის შედედების საწინააღმდეგო ნივთიერებას — პირუდინს (წურბელა), ანტიკოაგულინს (ტკიპები), შხამს (ზოგი მოლუსკი) და სხვ. ს. ჯ. აქვს ყველა ხერხემლიანს, გარდა თევზებისა და ვეშაპებისა. ვეშაპების მეტ-ნაკლებად განვითარებული ს. ჯ. განლაგებულია სასაზე, ენაზე, ღრძილებზე, ლოყის შიგნითა ზედაპირზე და ტუჩებზე, ყბის ქვეშ, ენის ქვეშ და ა. შ. გვცლებს ს. ჯ-ის ნაწილი გარდაქმნილი აქვთ საშხამე ჯირკვლებად (ანკარასებრთა და გველგესლასებრთა ოჯახი). ძუძუმწოვრებს განსაკუთრებით მძლავრად აქვთ განვითარებული ს. ჯ-ის 3 წყვილი: *ენისქვეშა ჯირკვალი, ყბისქვეშა ჯირკვალი* და *ყბაყურა ჯირკვალი*. ბევრ ძუძუმწოვარს ენისუკანა ჯირკვალიც აქვს.

ლ. ნათაძე.

ადამიანის ს. ჯ. დღე-ღამეში გამოიმუშავებს 700—800 გ ნერწყვს. განარჩევენ მსხვილი ს. ჯ-ის 3 წყვილს: ყბაყურა, ენისქვეშა, ყბისქვეშა და მრავალრიცხოვან წვრილ (ტუჩის, ლოყის და სხვ.) ს. ჯ-ს. ფუნქციის მიხედვით განასხვავებენ სეროზულ (გამოყოფს ცილით და ფერმენტებით მდიდარ სითხეს), ლორწოვან (გამოყოფს წელვად, მუცინით მდიდარ სითხეს) და შერეულ ს. ჯ-ს. ყბაყურისა და ენის ჯირკვლების უმეტესობა, განსაკუთრებით კი იმ ჯირკვლებისა, რ-თა სადინრებიც შემოზღუდული დვრილების ღარში იხსნება — სეროზულია, ენისქვეშა — ლორწოვანია, ყბისქვეშა კი შერეული. ენის ზედაპირის მახლობლად ლორწოვანი გარსის ქვეშ აღინიშნება შერეული ხასიათის ს. ჯ-ის შეჯგუფება — ეს 3 ან 4 სადინარის მქონე ენის წინა ჯირკვლებია. ს. ჯ-ის დაავადებებია პაროტიტი, ეპიდემიური და ნერწყვ-კენჭოვანი დაავადება. *ე. აბაშიძე.*

სანეკტრეები, მცენარის სეკრეტორული ჯირკვლები, რ-ებიც შაროვან წვენს — *ნექტარს* გამოყოფს. უმეტესად არის ყვავილში (ყვავილსაჯდომზე, ჯამის ფოთლების შიდა ზედაპირზე, დეზში, გვირგვინის ფურცლებზე, მტვრიანათა ძირში, ნასკვის ნაკვთებს შორის, ნასკვის ძირში) ან, იშვიათად, — მის გარეთ. ზოგ მცენარეს ს-ად გადაექცევა ყვავილის ცალკეული ნაწილი, მაგ., გვირგვინის ფურცლები, იშვიათად — ყვავილედის ცალკეული ყვავილები. პისტოლოგიურად ს-ის სეკრეტორული ქსოვილი შედგება ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი, ციტოპლაზმით მდიდარი სუბეპიდერმული უჯრედებისაგან, მეტად იშვიათად — ეპიდერმისის უჯრედებისაგანაც. ნექტარს გამოყოფს უჯრედის მთელი ზედაპირი ან ზოგჯერ, განსაკუთრებული ბაგეები.

ს-ს დიდი მნიშვნელობა აქვს მწერებით ჯვარედინი დამტვერვისას. მცენარემ შეიძლება ნექტარი უკანვე შეიწოვოს და მასში შემავალი საკვები ნივთიერებები გამოიყენოს ნივთიერებათა ცვლაში.

ზ. ღვინიანიძე.

სანთა, სოფელი წალკის რ-ნში (წინწყაროს სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის სამხრ კალთაზე. ზ. დ. 1580 *მ*, წალკიდან 25 *კმ*. ბეშთაშენის მერჩეულეობა-მკარატფი ლეობის საბჭ. მეურნეობა. რაწლ. სკოლა. ბ-კა. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ძვ. წ. I ათასწლ. დ.სასრულის ციკლოპური ციხისა და შუა საუკ. ციკლოპური ციხის ნანგრევები, XI—XII სს. ეკლესია (გადაკეთებულია XIX ს-ში) ლაპიდარული წარწერებით.

სანთელა (Melampyrum), ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ჭაფწამალასებრთა ოჯახისა. ნახევრად პარაზიტებია მოპირისპირედ განლაგებული მწკრივი ფოთლები აქვთ. ყვავილები განლაგებულია მფარავი ფოთლების იღლიებში და შეკრებილია თავთავის მსგავს ყვავილედებად ნაყოფი კოლოფია. ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში გავრცელებულია 30-მდე სახეობა, მათგან სსრკ-ში იზრდება 16 საქართველოში 4, მ. შ. ერთი (M. albovi ana) საქართველოს ენდემია, მეორე (M caucasicum) — კავკასიისა. უფრო გავრცელებულია ყანის ს. (M. arvense) რ-იც ზოგჯერ ნათესებშიც იზრდება სარეველად.

ლ. ხინთიბიძე.

სანთელი, *სინათლის ძალის ერთეული ერთეულთა საერთაშორისო სისტემის* (SI ერთ-ერთი ძირითადი ერთეული თანამედროვე სახელწოდებაა *კანდელა* (დაზუსტებული განსაზღვრა მიღებულია ზომა-წონათა XIII გენ. კონფერენციაზე 1967). მისი აღწარმოება ხდება პირველადი სინათლის ეტალონის — სრული გამოსხივარის — მეშვეობით პლატინის გამყარების ტემპ-რაზე ქართ. აღნიშნავა *სანთ.*, საერთაშ. cd. ს-მა ანუ „ახალმა ს-მა", შეცვალა (1948) საერთაშ. ს., რ-იც დაადგინეს 1909 და იყენებდნენ 1921-იდან (სსრკ-ში 1925-იდან).

1 საეროაშ. *სანთ*=1,005 ახ. *სანთ* (კანდელას).

სანთლები სამედიცინო, სუპოზიტორიუმი, დოზირებული მკვრივი სამკურნალო ფორმა, რ-იც შეჰყავთ სწორ ნაწლავში ან საშოში. ჩვეულებრივ პირობებში მკვრივია, ადვილად ლღვება სხეულის ტემპ-რაზე. ცილინდრის ან კონუსის სახით მზადდება სამკურნ. ნივთიერებებისა და კაკაოს ზეთისაგან (ან მისი შემცვლელისაგან). აქვს ადგილ. ან საერთო მოქმედება.

სანთურა, აირისებრი, თხევადი ან მტვრისებრი სათბობისა და ჰაერის ან ჟანგბადის ნარევის შესაქმნელი და დაწვის ადგილზე მისი მისაწოდებელი მოწყობილობა. ს-ებს მიაკუთვნებენ *აირის სანთურას, ფრქვევა ნას* და მტვრისებრი სათბობისათვის განკუთვნილ სასანთურე მოწყობილობას.

სანთური, ტრაპეციის ფორმის მრავალსიმიანი ხის ჩასაბერი სამუსიკო საკრავი. ს. აზიის ქვეყნებიდან შემოვიდა ამიერკავკასიაში—აზერბაიჯანსა და სომხეთში. ნაწილობრივ — საქართველოში (კერძოდ თბილისში). ს. სოლო, სიმღერის თანმხლები და საანსამბლო საკრავია. ს-ის ბგერის იძლევა საკრავის ზედა ფიცარზე განლაგებული, უნისონში შეწყობილი ლითონის 4 სიმი, რ-ებიც ეყრდნობა მოძრავ კოჭებს. ს-ს უკრავენ ბოლომოლუნული 2 ჩხირით დარტყმით. წყობა ქრომატიულია. ი. კარგათელის ცნობით XIX ს-ში ს-ის გამჩენილი დამკვრელი ყოფილა მომღერალი ჩიტო ციციშვილი.

სანი (San), მდინარე პოლონეთის სამხრ. აღმ. ნაწილში, ვისლის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 444 *კმ*, აუზის ფართ. 16,7 ათ *კმ²*. სათავე აქვს აღმ. ბესკიდებში. წყალდიდობის თებ.-მაისში. წყლის საშ. ხარჯი ქვემოთ 125 *მ³/წმ*. ხე-ტყის დაცურება. ს-ის ზემოთშია სოლინკის წყალსაცავი

ჰესი. ს-ის ნაპირზეა ქ-ები: სანოკი, ფშემისლი, იაროსლავი.

სანიაკი (Sagnac) ფილიპ (1868, პერიჟე, — 1954, ლუინი), ფრანგი ისტორიკოსი. ლილის (1899-იდან), ბორდოს (1915-იდან), პარიზის (1923—37) უნ-ტების პროფესორი. 1935 სორბონის უნ-ტში ჩამოყალიბა საფრ. რევ. შემსწავლელი ცენტრი. მისი შრომები დაწერილია ბურჟ.-ლიბერ. პოზიციებიდან; შეიცავს დიდ ფაქტობრივ მასალას. პ. კარონთან ერთად გამოსცა დოკუმენტების კრებული, რ-იც 1789—93 ფეოდ. წესწყობილების ლიკვიდაციას ეხება.

თხზ.: Гражданское законодательство французской революции, М., 1928.

სანიაღვრო კანალიზაცია, ნაგებობათა სისტემა, რ-ის დანიშნულებაა დასახლებული ადგილის ტერიტორიიდან სანიაღვრო წყლისა და წყალ-თოვლის მიღება და არიება მიწისქვეშა მილების ან არხების ქსლის მეშვეობით. ს. კ-ის სისტემაში შედის აგრეთვე წვიმის მიმღები, სათვალიერებელი, ვარდნის ჭები და კამერები, წყალსატევში ჩასაშვები და სხვ. დიდფართობიანი შენობის სახურავიდან ატმ. წყლის ისარინებლად აწყობენ შიგა წყალჩასადინარებს. ს. კ-ს ზოგჯერ იყენებენ პირობით ნუფთა და სადრენაჟე წყლის ჩასაშვებად, აგრეთვე თოვლის ჩასატვირთად. იხ. *კანალიზაცია* და *საკანალიზაციო ქსელი.*

სანიგები, სანიხები, სანიკები, სვ. დასავლურ-ქართული ტომი. პირველად იხსენიებენ I—II სს. ავტორები — პლინიუსი, არიანე, მემნონი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით ს. იგივე ზანები (მეგრელ-ჭანები) იყვნენ, სხვების აზრით — სვანები. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ ს. ჯიქები (საძები) იყვნენ. პლინიუსისა და არიანეს ცნობით, ს. სებასტოპოლისის (ახლანდ. სოხუმი) მიდამოებში ცხოვრობდნენ. ს-ს იხსენიებს „ისტორიანი და აზანი შარავანდედთანის" ავტორიც, მაგრამ მასთან „სანიგ" ეთნიკური სახელი მომქმედი არ უნდა იყოს და არ უნდა ასახავდეს მის დროს არსებულ ვითარებას. იხ. აგრეთვე სტ. *სანიგეთი.*

ლიტ.: ინგოროყვა პ., გიორგი მერწულე, თბ., 1954; მიქელაძე თ., ძიელანი კოლხეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთი ვიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები), ბ., 1974; ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ბარენი, იბერი, შრომები, [ტ.]3, თბ., 1959; ინჩაბაძე Ვ. В., Очерк этнической истории абхазского народа, Сух., 1976; Деликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

თ. მიქელაძე.

სანიგეთი, *სანიგებით* დასახლებული ისტორიული მხარე ახლანდ. აფხ. ასსრ ტერიტორიაზე. ს-ის „მეფეს" — სპადაგას, რ-საც ძალაუფლება იმპ. *ადრიანეს*გან მიუღია, იხსენიებს *არიანე* II ს. ნახევარში. როგორც მეფის სახელიდან ჩანს, იგი ადგილ. დინასტი უნდა ყოფილიყო. ს. ჯანაშიას ს. კოლხეთის სკეპტურიებად დაშლის შედეგად წარმოქმნილ სამეფოდ მიაჩნია. გ. მელიქიშვილის აზრით, ს-ის გაერთიანება წარმოადგენდა ჯომთა კავშირს სახელმწიფოებრიობის ადრეული წანასახით.

ლიტ. იხ. სტ-თან სანიგები.

თ. მიქელაძე.

სანიდინი (<ბერძნ. sanis, ნათ. ბრ. sanidos — ფიცარი; უწოდებენ ბრტყელი ფორმის კრისტალების გამო), სილიკატების კლასის მინერალი *მინდვრის შპატების* ჯგუფისა; $K[AlSi_3O_8] - Na[AlSi_3O_8]$ ფერადი ხსნარი, რ-შიც კალიუმიანი კომპონენტის შემცველობა 100-იდან 37%-მდე ცვალება, შეიცავს აგრეთვე $Ca[Al_2Si_2O_8]$, კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. მის სტრუქტურას ახასიათებს Al-ის და Si-ის მოუწესრიგებელი განაწილება. როცა $KAlSi_3O_8$ შემცველობა 37%-ზე ნაკლებია, სტრუქტურა ტრიკლინურად გადაიქცევა (მალალტემპ.-რული *ალბიტი*). ს. ახალგაზრდა ეფუზიური და ჰიპაბისალური მაგმებისათვის დამახასიათებელი აქცესორული მინერალია.

სანივთო სამართალი, სამოქალაქო სამართლის დარგი, რ-იც აწესრიგებს მოქალაქეთა იმ უფლებებს, რ-ის ობიექტი ინდივიდუალურად განსაზღვრული *ნივთია.* საბჭ. სამართალში სანივთო უფლებას ეკუთვნის *საკუთრების უფლება, ოპერატიული მმართველობის უფლება,* მიწით უვადოდ სარგებლობის უფლება. სანივთო უფლება *აბსოლუტური უფლებაა.* ვალდებულებითი უფლებებისაგან განსხვავებით, რ-იც გულისხმობს კონკრეტულად განსაზღვრულ ვალდებულ პირს, სანივთო უფლება მიმართულია განუსაზღვრელი პირებისადმი, რ-ებიც ვალდებული არიან არ დაარღვიონ ეს უფლება. მაგ., მესაკუთრეს შეუძლია ყველას, ვინც კი ხელს უშლის ქონებით სარგებლობასა თუ განკარგვაში, მოსთხოვოს თავი შეიკავოს ასეთი მოქმედებისაგან; შეუძლია ნივთი გამოსთხოვოს ყველას, ვის მფლობელობაშიც არ უნდა იყოს იგი (იხ. *ვინდიკაცია*).

სანიკიძე ლევან დავითის ძე (დ. 26. I. 1925, სოფ. ბუგეული, ამბროლაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. მწერალი, ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1966). სკკპ წევრი 1945-იდან. 1948 დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტი. 1975-იდან თსუ-ის ძვ. მსოფლიოს ისტ. კათედრის გამგეა. ს-ის პირველი წიგნი „პონტოს სამეფო" 1956 გამოქვეყნდა, პირველი პიესა „გაიუს გრაკხუსი" 1957 დაიდგა. ს-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ოთხტომიანი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „უქარქაშო ხმლები" (1976—81). ეკუთვნის აგრეთვე წიგნები „ანტიკური ქვეყნების ისტორია", „ამბავი კოლხი ასულისა" (ორივე 1963), „რომის იმპერია — პრინციპატი" (1968), „მარიუსი და სულა" (1969), „რომის იმპერია — დომინანტი" (1972), „კვერთხი ეშმაკთა" (1976), „არესის სამსხვერპლოსთან" (1977), პიესები და სხვ.

სანიკოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე [30. V (11. VI). 1896, ქ. როგაჩოვი, — 12. VII. 1965, მინსკი], საბჭ. რეჟისორი, მსახიობი და პედაგოგი. ბელორ. სსრ სახ. არტისტი (1949). სკკპ წევრი 1941-იდან. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1916. 1926-იდან იყო ბელორუსიის ი. კოლასის სახ. თეატრის (ვიტებსკი) მსახიობი. 1932-იდან ხელმძღვანელობდა ბელორუსიის მე-3 თეატრს (მინსკი, შემდეგ გომელი), საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრებია: სამუილიონოკის „მგლის დაღუპვა" (1939), მოვზონის „კონსტანტინე ზასლონოვი" (1947, სსრკ სახელმწ. პრემია, 1948), კრაპივას „მღერიან ტოროლები" (1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1952) და „ადამიანები და ეშმაკები" (1958), სლოვაცკის „ვოევოდას სიკვდილი" (1959) და სხვ. 1947-იდან ასწავლიდა (1960-იდან პროფესორი) ბელორ. სამხატ.-თეატრ. ინ-ტში (მინსკი). დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

სანიკოვის მიწა, „კუნძული" ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, რ-იც „დაინახა" ზოგიერთმა მკვლევარმა ახალი ციმბირის კ-ების ჩრდ-ით. მისი არსებობა პირველად რუსმა ზღვაოსანმა ი. სანიკოვმა გვაცნობა 1811, შემდეგ რუსმა არქტიკის მკვლევარმა ე. ტოლმა — 1886 და 1893. XX ს.I ნახევარში საბოლოოდ დადგინდა, რომ ს. მ. არ არსებობს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ს. მ. ზღვამ წარეცხა.

სანიკოვის სრუტე, სრუტე კ- კოტელნისა (ჩრდ.) და მცირე ლიახოვის კ-ს (სამხრ.) შორის. აკავშირებს ლაპტევებისა და აღმ. ციმბ. ზღვებს. უმცირესი სიგანე 55 *კმ,* სიღრმე 10—20 *მ.* სახელი ეწოდა რუსი ზღვაოსნის ი. სანიკოვის პატივსაცემად.

სანიმუშო საშუალებები გაზომვებისა, *საზომები, საზომი ხელსაწყოები* და საზომი გარდამქმნელები, რ-ებსაც იყენებენ გაზომვის სხვა საშუალებების შესამოწმებლად და ატესტირებული არიან როგორც ნიმუშები.

სანინ კანო (Sanin Cano) ბალდომერო (27. VI. 1861, რიონეგრო, ანტიოქიის პროვინცია, — IV. 1957, ბოგოტა), კოლუმბიელი მწერალი და საზ. მოღვაწე. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი (1954). სახელი გაითქვა წიგნებით „კრიტიკა და ხელოვნება" (1932), „ესეები" (1942), „ჩემი და სხვათა ცხოვრების შესახებ" (1949), „ჰუმანიზმი და ადამიანის პროგრესი" (1955).

სანიორე, სოფელი თელავის რ-ნში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ლოპოტის მარჯვ. მხარეს, ყვარელი—ახმეტის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ართანა, ჯულაანი). ზ. დ. 420 *მ,* თელავიდან 21 *კმ.* კოლ-ბა (მევენახეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), კავშირგაბმ. განყ-ბა.



ლ. სანიკიძე.

სანიოსლო, მთა თრიალეთის ქედის დას. განშტოებაზე, მდ-ების ბორჯომულისა და ოთის (მტკვრის შენაკადები) სათავეებში. სიმაღლე 2930 *მ.* ს-ს მიდამოები აგებულია შუაეოცენური ანდეზიტური განფენებითა და მათი პიროკლასტოლითებით. მთის კალთები შემოსილია ნაძვნარითა და ფიჭვნარით, თხემი — სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

სანიტარია (<ლათ. sanitas — ჯანმრთელობა), სანიტარული საქმე, ტერმინი, რ-იც იხმარებოდა ჯანმრთელობის დაცვის იმ დარგის აღსანიშნავად, რ-იც პრაქტიკულად ამუშავებს და ატარებს სანიტ.-ჰიგიენურ და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებს. თანამედროვე გაგებით (1960-იდან) ამ პრობლემათა სამეცნ. დამუშავება ევალება *ჰიგიენას,* ხოლო სანიტ.-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზაცია და ცხოვრებაში გატარება—სანიტ.-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს.

სანიტარია ვეტერინარული, ვეტერინარიის დარგი, რ-იც შეისწავლის ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის საკითხებს, შეიმუშავებს იმ ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათაგან მოსახლეობის დაცვის ღონისძიებებს, რ-ებიც საერთოა ადამიანისა და ცხოველისათვის, ატარებს მუშაობას სანიტ. თვალსაზრისით მაღალხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტების მისაღებად. ს. ვ. მჭიდროდაა დაკავშირებული სავეტერინარო და სამედ. დისციპლინებთან — იყენებს მათი კვლევის მეთოდებსა და მიღწევებს. ს. ვ. მოიცავს აგრეთვე ხორცის, რძის, მატყლის, ტყავისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ვეტ. ზედამხედველობის ორგანიზაციას გადამუშ. მრეწველობაში. ამ პროდუქტების შენახვისა და გაყიდვის ადგილებში. ს. ვ-ის კომპეტენციაშია ცხოველთა სადგომებში სანიტარული რეჟიმის დაცვის, საკვების შენახვის, გადამუშავების, ნაკელის გატანის, მისი შენახვის, დეზინფექციისა და სხვ. საკითხები. ს. ვ. ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში.

კ. კაპანაძე.

სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გ. ნათაძის სახელობისა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1926 თბილისში საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის კვლევის ლაბორატორიის ბაზაზე (დამაარსებელი და პირველი დირექტორი ს. *ამირეჯიბი*). ინ-ტში არის 4 განყ-ბა (კომუნ. ჰიგიენის, კვების, საორგანიზაციო-მეთოდური და სამეცნ. სამედ. ინფორმაციის), 10 ლაბორატორია, ვივარიუმი და ბ-კა. ინ-ტი ამუშავებს გარემოს ჰიგიენის, კვების პრობლემების სამედ. საფუძვლებისა და ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის პრობლემებს. აქ სრულდება სამუშა-

ოები სსრკ სამედ. აკად. საერთო და კომუნ. ჰიგიენის ინ-ტთან და ეკონ. ურთიერთობის საბჭოსთან ერთობლივად. გამოცემულია „შრომათა კრებულების" 16 ტომი, მრავალი მეთოდური მითითება და წერილი. ინ-ტში მუშავდება ტოქსიკური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებისა და საკვებ პროდუქტებში მათი დასაშვები ნარჩენი რაოდენობის საკითხები დამტკიცებულია 20-ზე მეტი ნორმატივი. ინ-ტი რესპ. სამეცნ. ცენტრია კვების დარგში; აქ საკვებში მიკოტოქსინების განსაზღვრის მეთოდიკას ეუფლებიან განვითარებადი ქვეყნების სპეციალისტები.

გ. აბდუშელიშვილი.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური (სეს), *სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის* ძირითადი სპეციალიზებული დაწესებულება, რ-იც ახორციელებს სახელმწიფოებრივ სანიტარულ ზედამხედველობას. რევოლუციამდელ რუსეთში პირველი სეს შეიქმნა თ. *ერისმანის* ხელმძღვანელობით 1891. სსრკ ჯანდაცვის კომისარიატმა 1939 დაამტკიცა სეს-ის დებულება. განარჩევენ რესპ., სამხარეო, საოლქო, საქალაქო და სარაიონო, აგრეთვე საზღვ. ტრანსპ. და საუწყებო (რკინიგზის, სამოქალაქო ავიაციის) სეს-ებს; მათ ევალებათ თავის საუწყებო ტერიტორიაზე სანიტ. სახელმწ. ზედამხედველობა, ინფექციური, პარაზიტული და პროფ. დაავადებების სალიკვიდაციო და თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების ორგანიზაცია და გატარება. სეს-ის შემადგენლობაშია სანიტ.-ჰიგიენური, ეპიდემიოლოგიური და სადეზინფექციო განყ-ბები. სანიტ.-ჰიგიენურ განყ-ბაში შედის კომუნ. ჰიგიენის, შრომის ჰიგიენის, კვების ჰიგიენის, ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის ქვეგანყ-ბები და ლაბორატორია; ეპიდემიოლოგიურ განყ-ბაში — ეპიდსაწინააღმდეგო და პარაზიტოლოგიური ქვეგანყ-ბები და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, სადეზინფექციო განყ-ბაში—ევაკუაციის, კეროვანი დეზინფექციისა და სანიტ. დამუშავების, აგრეთვე პროფილაქტ. *დეზინფექციის, დეზინსექციისა* და *დერატიზაციის* ქვეგანყ-ბები. ზოგიერთ სეს-ში არის განსაკუთრებით საშიში ინფექციების განყ-ბა, რადიოლოგიური ჯგუფები, ცოფის საწინააღმდეგო (ანტირაბიული) კაბინეტი და სხვ. ადმ. დაქვემდებარების ხაზით სეს ემორჩილება სათანადო ჯანდაცვის ორგანოს, ხოლო სახელმწ. სანიტ. ზედამხედველობის ხაზით — მხოლოდ სანიტ.-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ზემდგომ ორგანოს ან დაწესებულებას.

საქ. სსრ-ში პირველი სეს შეიქმნა ბორჯომში 1936. ამ პერიოდიდან დაიწყო სანიტ.-ეპიდემიოლოგიური დაწესებულებების რაოდენობის სწრაფი ზრდა. 1938 საქართველოში უკვე 16 სეს იყო, 1940 წ. — 25; 1945 წ. — 33; 1950 წ. — 88. 1949 შეიქმნა რესპ. სეს.

ამჟამად საქართველოში არის 3 რესპ. (საქ. სსრ, აფხ. და აჭარის ასსრ-ების) და 1 საოლქო (სამხრ. ოსეთის აო), 88 საქალაქო და სარაიონო სეს, აგრეთვე 1 სანაოსნო სეს, 1 სანიტ. განყ-ბა და 4 საქალაქო სადეზინფექციო განყ-ბა. ყველა სეს-ს აქვს ბაქტერიოლოგიური, ხოლო 46 სეს-ს — ქიმ ლაბორატორიები, რ-ებიც აღჭურვილია სათანადო დანადგარებითა და აპარატურით და დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. *გ. ნადარაია.*

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური სსრკ-ში, სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემა, რ-იც ახორციელებს სახელმწიფო-სანიტარულ ზედამხედველობას, ატარებს სანიტ.-პროფილაქტ. და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებს.

ს.-ე. ს-ის თანამედროვე სტრუქტურას განსაზღვრავს სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „დებულება სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის შესახებ" (1973), რ-ის თანახმადაც ს.-ე. ს-ის ორგანოთა და დაწესებულებათა სისტემაში შედის სსრკ-ის, მოკავშირე რესპუბლიკების ჯანდაცვის სამინისტროების მთავარი სანიტ.-ეპიდემიოლოგიური სამმართველოები და მათზე დაქვემდებარებული ტერიტორიული *სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები*. ს.-ე. ს-ს სათავეში უდგას სსრკ-ის მთავარი სანიტ. სახელმწ. ექიმი — სსრკ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე. ს.-ე. ს-ის ტერიტ. ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა ეკისრება ამ ტერიტორიების მთავარ სანიტ. ექიმებს. სსრკ რკინიგზის, სამოქალაქო ავიაციის, თავდაცვის და სხვ. სამინისტროების ობიექტებს სამედ. ზედამხედველობას უწევს ამ სამინისტროების სამედ. სამსახური და უწყებანი.

ს.-ე. ს-ის ძირითადი ფუნქციაა გამაფრთხილებელი და მიმდინარე სახელმწ. სანიტ. მეთვალყურეობის განხორციელება—კონტროლი იმაზე, თუ რამდენად სრულდება გარემოს გაბინძურების სალიკვიდაციო და თავიდან ასაცილებელი, მოსახლ. შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გამაჯანსაღებელი, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა მიერ სანიტ.-ჰიგიენური და სანიტ.-ეპიდსაწინააღმდეგო წესების დასაცავი საერთო-სახელმწ. ღონისძიებები. ს.-ე. ს-ს უფლება აქვს დაამტკიცოს ჰიგიენური ნორმები და წესები, დააწესოს სანიტ. მეთვალყურეობაზე სახელმწ. კონტროლი, რაც ითვალისწინებს რადიაციული უშიშროების, საზღვრების სანიტ. დაცვისა (იხ. *სანიტარული დაცვა საზღვრებისა*) და ინფექციური დაავადებებისაგან მთელი ქვეყნის ტერიტ. დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას, მოსახლეობის იმუნიზაციის საკითხების გადაწყვეტას და სხვ.

სანიტარული განათლება სსრკ-ში, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამედიცინო ღონისძიებათა სისტემა, რ-იც მიმართულია მოსახლეობის *სანიტარული კულტურის*, შრომისუნარიანობის ასამაღლებლად, სიცოცხლიანობის შესამცირებლად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გასაზრდელად, ს. გ. საერთო კულტ.-საგანმ. და პოლიტ.-აღმზრდელობითი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილია. ს. გ-ის საქმეში ჯანდაცვის ორგანოებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ განათლებისა და კულტ. საბინისტერიები, სასწ. დაწესებულებები, პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია და სხვ.

საქართველოში ს. გ-ს მდიდარი ტრადიცია აქვს, ჯერ კიდევ კავკ. საექიმო საზ-ბა (1864), შემდეგ საქართვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბა (1916) სისტემატურად აქვეყნებდა ს. გ-ის ხასიათის სტატიებსა და ბროშურებს. საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში თბილისში შეიქმნა სანიტარული კულტურის სახელმწ. თეატრი, რ-მაც მეტად ნაყოფიერი სამუშაო შეასრულა. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს ს. გ-ის რესპ. სახლი, აფხ. და აჭარის ასსრ რესპუბლიკებისა და სამხრ. ოსეთის აო-ს ს. გ-ის სახლები, თბილ., ბათ. და ქუთ. საქალაქო ს. გ-ის სახლები და 16 კაბინეტი. რესპუბლიკაში ს. გ-ის სისტემის 156 სპეც. მუშაკის გარდა, ყველა ექიმი, მიუხედავად სპეციალობისა, ვალდებულია კვირაში ერთი სამუშაო საათი მაინც მოახმაროს ს. გ-ს. საქართველოში ს. გ-ის მთელი სისტემის ხელმძღვანელი ორგანოა ს. გ-ის რესპ. სახლი, რ-იც მუშაობს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წ. 19 ივნ. დადგენილებით დამტკიცებული კომპლ. გეგმის მიხედვით ჯანდაცვის, განათლების, შინაგან საქმეთა და სხვ. სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად. ყოველწლიურად იზრდება ს. გ-ის ღონისძიებათა რიცხვი. წელიწადში საშუალოდ კითხულობენ 13 ათ-ზე მეტ ლექციას, ატარებენ 120 ათ-ზე მეტ საუბარს, 700-მდე რადიოსაუბარს, აჩვენებენ 1100-მდე სანიტ.-საგანმან. ფილმ. და სხვ.

ლიტ.: Лапин К. В., Санитарное просвещение на селе, М., 1955; Соколов И. С., Трахман Я. Н., Санитарное просвещение, 4 изд., М., 1966.

ი. ქურაშვილი.

სანიტარული დაცვა საზღვრებისა, სანიტარული დაცვა ტერიტორიისა, ადმინისტრაციულ, სამედიცინო, სანიტარულ და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ერთობლიობა, რ-იც მიმართულია ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანისა და ცხოველის საკარანტინო დაავადებების, აგრეთვე სას.-სამ. მცენარეთა ზოგიერთი მავნებლის შემოტანის თავიდან ასაცილებლად. ს. დ. ს-ის რეგულირება ხდება საერთაშ. სანიტ. წესებით მთელი რიგი საერთაშ. შეთანხმებების საფუძველზე (იხ. *კარანტინი*).

ს. დ. ს-ის ადმინისტრაციული საშუალებებია ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის დროებითი აკრძალვა, საფოსტო ოპერაციებისა და ვაჭრობის შეზღუდვა, უკიდურეს შემთხვევაში — სახელმწ. საზღვრის ჩაკეტვა. სამედ.-სანიტ. და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებია ტრანსპ. სანიტ. გასინჯვა, მგზავრების სამედ. გამოკვლევა, აცრებზე საერთაშ. საბუთების შემოწმება, ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია, ავადმყოფებთან კონტაქტში მყოფ პირთა იზოლაცია, *ობსერვაცია, დეზინფექცია* და სხვ. ზოგ ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-ში, მიღებულია საკარანტინო წესების დაცვის კონტროლი როგორც ჩამომსვლელ, ისე ქვეყნიდან გამსვლელ პირებზე.

სსრკ-ში ს. დ. ს. ხორციელდება მთავრობის სხვადასხვა დადგენილების საფუძველზე. საზღვრების სანიტ. დაცვის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების გატარება ევალება სანიტ.-ეპიდემიოლოგიურ სადგურებს სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით. საერთაშ. აეროპორტებში, საზღვ. პორტებსა და რკინიგზის სადგურებში შექმნილია სანიტ.-საკარანტინო და სანიტ.-საკონტროლო პუნქტები.

სანიტარული კვანძი, მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა, რ-შიც განლაგებულია *სანიტარული ხელსაწყოები*, მათთან დაკავშირებული მილსადენები და სხვა მოწყობილობა (საპირფარეშო, სააბაზანე, საშხაპე და სხვ.). ს. კ-ებს აწყობენ სართულებზე ერთიმეორის ქვემოთ, რათა შესაძლებელი იყოს საერთო ვერტ. წყალსადენისა და საკანალიზაციო მილების (დგარების) გამოყენება. ინდუსტრ. ხერხით შენობათა აგებისას ს. კ-თვის ამზადებენ სანიტ. ბლოკებს, რ-ებიც წარმოადგენს ბეტონის *პანელს* (კედელს), ხოლო ამ პანელის სიზრქეში ჩატანებულია სანიტ. ხელსაწყოებისათვის საჭირო მილები. თანამედროვე მშენებლობაში ფართოდ იყენებენ ს. კ-ს მსხვილი მოცულობითი ბლოკის სახით, რ-შიც შედის სააბაზანე, საპირფარეშო და სხვ. ასეთი ს. კ. — ბლოკი (სადაც დამონტაჟებულია მილსადენი და სანიტ. ხელსაწყოები) მზა სახით მოაქვთ შენობაში მისთვის განკუთვნილ ადგილზე დასაყენებლად.

სანიტარული კულტურის თეატრი თბილისში, საბჭ. დრამატული თეატრი, აგიტაცია-პროპაგანდის ერთ-ერთ ფორმა მასებში სანიტარული განათლების შესატანად. ატარებდა თეატრალიზებულ ლექციებსა და საუბრებს, სააგიტაციო ინსცენირებულ „გასამართლებებს" და სხვ. თბილისში 20-იანი წწ. დასაწყისში სანიტარული განათლების სახლებთან არსებობდა ნახევრად თვითმოქმედი — ნახევრად პროფესიული თეატრები, მათ შორის — სანგანათლების ქართული თეატრი (1922—35. ხელმძღვ. ს. წერეთელი), აგრეთვე რკინიგზის რუსული სანაგიტთეატრი (1922—36 ხელმძღვ. მ. ჭალიძე). ამ თეატრების რეპერტუარი — ს. წერეთლის „მალარია", „შავი მონადირე", „ზღვის სიმ

ერა“ და სხვ. მსახიობები: ე. ჩერქეზიშვილი, ვ. ბალანჩივაძე, ვ. გამყრელიძე, . როშჩინი, ს. წერეთელი, მ. ომსიაშვილი, . ჟიხარევა და სხვ.

1928 რეჟ. ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით თბილისში ჩამოყალიბდა ქართ. მოძრავი სანაგიტთეატრი, რ-იც 1936 გადაიქცა სტაციონარულ მუშაობაზე და გამოსცადდა თბილ. სანიტარული კულტურის სახელმწ. თეატრად. თეატრის საუკეთესო დადგმებს შორის იყო: ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“, ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, ტ. რამიშვილის „სტუმარმასპინძლობა“, შ. დადიანის „აჯილღა“, ა. ბრუშტეინის „გაგრძელება ქნება“ და სხვ. თეატრში სხვადასხვა დროს ოლეაწყობდნენ რეჟისორები: ე. ნინიძე, . ყუშიტაშვილი, ბ. გამრეკელი, ნ. გოძიშვილი და სხვ.; კომპოზიტორები: ვ. შაერზაშვილი, ვ. კურტიდი; მსახიობები: . ჩხეიძე, მ. ჭანიშვილი, ც. მემძარიაშვილი, გ. ბუხრაშვილი, მ. მდივანი, პ. შოაძე, დ. მელიქიშვილი, ა. სარჯველაძე და სხვ.; თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი იყო საქ. სსრ ახ. არტისტი ვ. ნინიძე, მთავარი მხატვარი—კ. ნინიძე. 1967 თბილ. ს. კ. თ-მა რისების შეწყვიტა.

ლიტ.: ნინიძე ვ., გერსამია ს., განგარაძე ნ., სანკულტურის თეატრი, ბ., 1955; წერეთელი ს., ათი ათასი წარმოდგენა პერიფერიებში, თბ., 1960.

შ. ცუცქირიძე.

სანიტარული სტატისტიკა, სამედიცინო სტატისტიკა, სოციალური სტატისტიკის დარგი და სოციალური ჰიგიენისა (იხ. *ჰიგიენა სოციალური*) და ჯანდაცვის ორგანიზაციის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ნაწილი. ს. ს-ში ისწავლიან მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატისტიკას, რიც შეისწავლის სანიტ.-დემოგრაფიულ პროცესებს, ავადობისა და ფიზ. განვითარების დინამიკას, და ჯანდაცვის სტატისტიკას, რ-იც აწარმოებს სამედ. ქსლის, სამედ.-სანიტ. დაწესებულებების კადრების მუშაობის, აღრიცხვასა და ანალიზს და სხვ. ს. ს-ის ძირითადი პრობლემებია მოსახლ. სანიტ. მდგომარეობის (ჯანმრთელობის) შესწავლა, მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობის, შობადობის, სიკვდილიანობის (იხ. *დემოგრაფია*), ფიზ. განვითარების, ავადობის, ინვალიდობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სხვათა შესახებ სტატისტ. მონაცემების მოგროვება და დამუშავება; მოსახლ. სიკვდილიანობის კორელაცია ავადობის დონესთან; კლინიკებსა და ლაბორატორიებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების კონტროლი და სხვ. თავის მუშაობაში ს. ფართოდ იყენებს *დიდ რიცხვთა კანონს* და *მათემატიკური სტატისტიკის* თეორებს.

სანიტარული ტექნიკა, სანტექნიკა, განზოგადებული სახელწოდება ქნიკის იმ დარგებისა, რ-თა მეშვეობით ბრუნველყოფენ საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო შენობებში, ალაქების, დაბებისა და სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიაზე მოსახლეობის ფიზ-ცხოვრების, შრომითი საქმიანობისა დასვენების აუცილებელ სანიტარულ თილმოწყობას. უფრო ვიწრო გაგებით—*ალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობის, თბომომარაგების, აირმომარაგების* და სხვ. სისტემების ტექ. საშუალებათა თობლიობა. ს. ტ-ის ერთ-ერთი უმნიშვლოვანესი ამოცანაა წყალსატევებისა საპაერო აუზების გაჯანსაღება და საბ. დაცვა..

სანიტარული ხელსაწყოები, *ჩამდინარე წყლების* მიმღებები, რ-ებსაც დგამენ საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და წარმოო შენობებში. ს. ხ-ს უერთებენ წყალსადენისა და კანალიზაციის შიგა ქსლებს. ს. ხ-ს დგამენ სააბაზანეში, რის დასაბან და საშხაპე სათავსებში (აბაზანა, პირსაბანი, შხაპის ქვეში, ტრაპი, ბიდე), ტუალეტისა და საპირფარეშოს სათავსებში (უნიტაზი, პისუარი), სამზარეულოში (სარეცხელი, ნიჟარა). იყენებენ აგრეთვე სპეც. დანიშნულების ს. ხ-ს, რ-ებსაც დგამენ სამედ. დაწესებულებებში, ლაბორატორიებში, აბანოში, საპარიკმახეროში და ა. შ. ს. ხ-ის მასალად იყენებენ მომინანქრებულ თუჯს, კერამიკას (ქაშანური, ნახევრად ფაიფური), მომინანქრებულ ფურცლოვან ფოლადს, უჟანგავ ფოლადს, პლასტმასებს. ს. ხ-ს უკეთებენ წყალდასახარჯ არმატურას (ონკანს, შხაპს და სხვ.), აგრეთვე ჩამდინარე წყლის მილსადენებზე წყლით საკეტების მქონე სიფონებს (გაჭუჭყიანებული ჰაერისაგან სათავსის დასაცავად).

ა. ზედგინიძე.

სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოები, სამშენებლო სამუშაოები, რ-ებიც დაკავშირებულია გათბობის, ვენტილაციის, თბოდა აირმომარაგების, ცხელი წყალმომარაგების, წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემების აგებასა და მონტაჟთან. განასხვავებენ გარე და შიგა ს.-ტ. ს-ს. გარე ს.-ტ. ს-ია: თბო-, აირ-, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გარე ნაგებობათა აგება, საქვაბეების, აირმანაწილებელი სადგურების. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსლების, წყალსადენის სათავო ნაგებობების, სატუმბი სადგურების, წყალსადაწნეო რეზერვუარების, სალექარების, წყალსადენისა და კანალიზაციის საწმენდი სადგურებისა და სხვათა აშენება. სსრკ-ში ამ სამუშაოებზე იხარჯება სამშენებლო კაპიტ. დაბანდებათა 15%. გარე ქსლები შეიძლება იყოს მიწისქვეშა და მიწისზედა. მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობის დროს სრულდება მიწის სამუშაოები, რ-ებიც ხორციელდება მიწასათხრელი და საგზაო მანქანების მეშვეობით. მიწისქვეშა ქსლების მოწყობა მოიცავს: მიწის ზედაპირზე რამდენიმე მილისაგან შემდგარი სექციის დამზადებას, მის ჩაშვებას (ავტოამწეს ან ჯალამბარის მეშვეობით) ტრანშეის წინასწარ მომზადებულ ფუძეზე, შეზუსტებას, სექციების შედუღებით შეერთებას, სამონტაჟო პირაპირების ჩაკეთებას, მილსადენების ჰიდრავ. ან პნევმ. გამოცდას. ფრიად ეფექტურია სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე მილსადენის ერთ მიწისქვეშა კოლექტორში (გვირაბში) შეთავსებით გაყვანა. მიწისზედა გაყვანა ხდება ლითონის ან რკინაბეტონის ესტაკადებზე (უმთავრესად სამრეწვ. საწარმოთა ტერიტორიაზე). ნაგებობები (სალექარი, რეზერვუარი, ჭა და სხვ.) შეიძლება აიგოს ანაწყობი კონსტრუქციებისაგან. შიგა ს.-ტ. ს. მოიცავს შენობის აღჭურვას გათბობისა და ვენტილაციის, აირმომარაგების, ცხელი და ცივი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით. სანიტ.-ტექ. მოწყობილობის დეტალებისა და კვანძების მონტაჟს. ამ სამუშაოთა ღირებულება შეადგენს მთელი ობიექტის (შენობის) მშენებლობის ღირებულების დაახლ. 10%-ს. სანიტ.-ტექ. მოწყობილობის მონტაჟი ხდება ინდუსტრ. მეთოდით. მნიშვნელოვნად ამაღლებს ინდუსტრიალიზაციის დონეს ქ-ნაში დამზადებული მოცულობითი ელემენტების (ბეტონის, აზბესტცემენტის სანიტ.-ტექ. კაბინების) გამოყენება. შიგა ს.-ტ. ს-ის დასრულების შედეგად ახდენენ სანიტ.-ტექ. მოწყობილობის რეგულირებასა და გამოცდას.

ა. ზედგინიძე.

სან იუ (San Yu) (დ. 3. III. 1919, ქ. პრომე), პრეზიდენტი და ბირმის სახელმწიფო საბჭოს თავ-რე 1981 ნოემბრიდან. 1941 დაამთავრა რანგუნის უნ-ტი ბირმაში, 1956 სამხ. კოლეჯი აშშ-ში. 1942-იდან მსახურობდა ბირმის დამოუკიდებლობის არმიაში, შემდეგ ბირმის შეიარაღებულ ძალებში. 1966—72 ბირმის შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის უფროსი. 1963—64 და 1969—72 ფინანსთა და დაგეგმვის მინისტრი, 1972—74 პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ბირმის თავდაცვის მინისტრი. 1965—70 ხელმძღვანელი პოსტები ეკავა ბირმის სოციალისტური პროგრამის პარტიაში (ბსპპ). 1971-იდან 1981 ნოემბ-მდე ბსპპ ცკ-ის გენ. მდივანი, 1974-იდან 1981 ნოემბრამდე ბირმის სახელმწ. საბჭოს მდივანი.

სანიშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (დ. 7. I. 1902, ქ. ქუთაისი), ქართველი საბჭ. მსახიობი და რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1964). 1921 დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია, პარალელურად მ. ბალანჩივაძის სახ. მუს. სასწავლებელი, 1924 — კინომსახიობთა სკოლა. კინოში მოღვაწეობა დაიწყო 1925 ჯერ როგორც მსახიობმა (მონაწილეობდა სხვადასხვა კინოსტუდიის მიერ შექმნილ ფილმებში: მურთაზი — „აბრეკ ზაური“, 1925; დოლგადი — „მთის კანონი“, 1927; აიუბი — „ზელიმხანი“, 1928 და სხვ.), ხოლო 1931-იდან როგორც რეჟისორმა. 1931 ბაქოში გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ნავთობის ხუთწლედის ბოლშევიკები“, 1932 „სახკინმრეწვში“ ფილმი „უდაბნო“. 1944 ი. თუმანიშვილთან ერთად გადაიღო ფილმი „დავით გურამიშვილი“. ს-ის შემოქმედება გამოირჩევა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. ს-ის მნიშვნელოვანი ფილმებია: „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (1955), „აბეზარა“ (1957), „ქალის ტვირთი“ (1958), „შეწყვეტილი სიმღერა“ (1960; ჩეხოსლ. კინოსტუდია „კოლიბას“ და „ქართული ფილმის“ ერთობლივი ნაწარმოები, დაჯილდოვდა ჩეხოსლ. უმაღლესი ჯილდოთი „შრომის ორდენი“), „ხევისბერი გოჩა“ (1965), „დაისი“ (1971), „სიცოცხლე ერმილეს“ (1978), „სახლი ლესნაიაზე“(1980) და სხვ. *ბ. გაგნიძე.*



ნ. სანიშვილი.

სანიშნო, მთა თრიალეთის ქედის აღმ. განშტოებაზე. სიმაღლე 1499 *მ*. ს-ს მიდამოები აგებულია ზედაეოცენური ქვიშაქვებითა და თიხებით. კალთები შემოსილია მუხნარ-რცხილნარით.

სან-კაეტანუ-დუ-სული (São Caetano do Sul), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, სან-პაულუს შტატში. სან-პაულუს გარეუბანი. 195 ათ. მკხ. (1980). რკინიგზის სადგური. შავი მეტალურგია, მანქანათსაშ., ქიმ., საშენ მასალათა მრეწველობა.

სან-კარლოსი (San Carlos), ქალაქი ფილიპინებში, კ. ნეგროსის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. 91 ათ. მკხ., გარეუბნებიანად 170 ათ. (1975). განვითარებულია შაქრის მრეწველობა. ჭილოფის, კალათებისა და თუნის ნაკეთობათა შინამრეწველური დამზადება. აეროპორტი.

სანკიულოტები (ფრანგ. sans-culottes< sans — უ- და culotte — მოკლე შარვალი), საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს შემოღებული ტერმინი. არისტოკრატები ს-ს დაცინვით უწოდებდნენ თავიანთ პოლიტ. მოწინააღმდეგეებს — ქალაქის ღარიბთა წარმომადგენლებს, რ-თაც უბეში ქსოვილისაგან შეკერილი გრძელი შარვლები ეცვათ (განსხვავებით თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისა, რ-ებიც მოკლე შარვალსა და აბრეშუმის წინდებს ატარებდნენ). შემდეგში „ს.“ პატრიოტის, რევოლუციონერის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.

სანკოვსკაია ეკატერინე ალექსანდრეს ასული [1816 — 16 (28). VIII. 1878, მოსკოვი], რუსი ბალეტის მსახიობი. 1825—36 სწავლობდა მოსკ. თეატრალურ სასწავლებელში (ფ. გიულენ-სორის კლასი). დრამ. ხელოვნებას სწავლობდა მ. *შჩეპკინთან*. 1831 შედგა ს-ს დებიუტი დიდი თეატრის სცენაზე ანტონოლინის ბალეტში „ახალგაზრდა მეძიძე ქალი, ანუ ნისეტა და ლუკა“. 1836 რუსეთში პირველმა შეასრულა სილფიდას პარტია შნაიცჰოფერის ბალეტში — „სილფიდა“. ს-ს ხელოვნებას დიდად აფასებდნენ ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი და სხვ. მნიშვნელოვანი პარტიები: ჟიზელი (ადა-



სან-მარინოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ნის „ჟიზელი"), კატარინა (პუნის „კატარინა, ყაჩაღის ქალიშვილი") და სხვ. დადგა ბალეტები ადანის „თავისქეიფა ცოლი" (1846) და პუნის „მზატვრის ოცნება" (1849). 1854 დატოვა სცენა.

სან-კრისტობალი (San Cristóbal), ქალაქი ვენესუელის დას. ნაწილში, ტაჩირის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 264 ათ. მცხ. (1979). გაშენებულია კორდილიერა-მერიდის სამხრ.-დას. მთისძირში, კარაკას–ბოგოტის (კოლუმბია) საავტ. გზაზე. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. ყავის, ტყავის დამუშავება, საფეიქრო, ფეხსაცმლის, სიგარეტის, ცემენტის წარმოება.

„სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი", რუსული გაზეთი, გამოდიოდა 1728-იდან პეტერბურგში როგორც გაზ. „ვედომოსტის" გაგრძელება. გამოსცემდა მეცნ. აკადემია კვირაში 2-ჯერ, 1800-იდან — ყოველდღე. 1914-იდან (№ 187-იდან) „პეტროგრადსკიე ვედომოსტი" ერქვა. პირველი რედაქტორები იყვნენ გ. მილერი, ი. შტელინი, მ. ლომონოსოვი. აშუქებდა რუს. საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მეცნ., ხელოვნ., მრეწვ., ვაჭრობის საკითხებს. 1863—74 იყო ლიბერ. მიმართულების ორგანო. 1875 გადაეცა სახალხო განათლების სამინისტროს. 1917 გამოცემა შეწყდა.

„სანკტ-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკ", რუსული გაზეთი, „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" ორგანო; გამოვიდა 1897 პეტერბურგში, გამოიცა 2 ნომერი; № 1 — პეტერბურგში, № 2 — საზღვარგარეთ. ტირაჟი 405—400.

სან-ლუისი (São Luis), ქალაქი ჩრდ.-აღმ. ბრაზილიაში, მარანიანის შტატის ადმ. ცენტრი. 405 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური ატლანტის ოკეანეზე. რკინიგზის სადგური. კვების, საფეიქრო მრეწველობა. გააქვეთ პალმის კაკალი და ზეთი, კარნაუბის ცვილი, ბამბა. თევზჭერა.

სან-ლუის-პოტოსი (San Luis Potosí), ქალაქი ჩრდ. მექსიკაში, სან-ლუის-პოტოსის შტატის ადმ. ცენტრი. 327 ათ. მცხ. (1979). დიდი სატრანსპ. კვანძი. ვერცხლის, ტყვიის, სპილენძის მომპოვებელი ძვ. რ-ნის (მადანს იღებენ XVI—XVII სს-იდან) ცენტრი. ფერადი მეტალურგია, შალის მრეწვ., ადგილ. ველური მცენარეების ბოჭკოს გადამუშავება. რკინიგზის სახელოსნოები. უნ-ტი. ს.-ლ.-პ. დაარსდა XVI ს. ბოლოს.

სან-მარინო, სან-მარინოს რესპუბლიკა (Repubblica di San Marino), სახელმწიფო სამხრ. ევროპაში, აპენინის ნ.-კ-ზე. გარს აკრავს იტალ. ტერიტორია. მდებარეობს ტოსკანა-ემილიის აპენინების ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ტიტანოს მთის (სიმაღლე 738 მ) კალთებზე. ფართ. 61 კმ². მოსახლ. 21,3 ათ. კაცი (1982). დაახლ. 15 ათ. სანმარინოელი ცხოვრობს საზღვარგარეთ, უმთავრესად იტალიაში, აგრეთვე საფრანგეთსა და აშშ-ში. სანმარინოელები წარმომავლობით ახლოს არიან იტალიელებთან, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ ეთნოსად ითვლებიან. დედაქალაქი — ქ. სან-მარინო (4,7 ათ. მცხ., 1982). ოფიც. ენა — იტალიური. რელიგია — კათოლიკობა. ეროვნ. დღესასწაულია 3 სექტ. — რესპუბლიკის დაარსების დღე (301). ოფიც. კალენდარი — გრიგორიანული, იყენებენ ადგილ. კალენდარსაც, რ-იც მომდინარეობს ახ. წ. 301-იდან. ფულის ერთეულია იტალ. ლირა. ადმინისტრაციულად იყოფა 12 ოლქად.

ს.-მ. რესპუბლიკაა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი გენ. საბჭო (ერთპალატიანი პარლამენტი, რ-საც მოსახლ. ირჩევს 5 წლის ვადით). სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია ორი თანასწორუფლებიანი კაპიტან-რეგენტი, რ-ებსაც ირჩევს დიდი გენ. საბჭო 6 თვის ვადით. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებენ კაპიტან-რეგენტები სახელმწ. კონგრესთან (მთავრობასთან) ერთად.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი*, *სახელმწიფო დროშა*.

ს.-მ-ს ისტორია 301-იდან იწყება. გადმოცემით იგი დაუარსებია რელიგ. დევნის გამო დალმაციიდან გამოქცეულ ქრისტიან მარინოს (შემდეგ იგი წმინდანად შეურაცხათ, აქედან თავსართი „სან"). „სან-მარინოს რესპუბლიკის" სახელწოდებით პირველად X ს. საბუთებში იხსენიება. XI—XIII სს-ში რესპ. საზღვრები გაფართოვდა. 1739 ქვეყანა პაპის ჯარებმა დაიპყრო; მაგრამ 1740 პაპმა კლიმენტ XII-მ ცნო ს.-მ-ს დამოუკიდებლობა. 1849 ს.-მ-ს თავი შეაფარა ჯ. გარიბალდის. 1862 ს.-მ-მ ხელშეკრულება დადო იტალიასთან მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის (განაახლეს 1872, 1897 და 1953) შესახებ. 1909 შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო უფლება მამაკაცებისათვის (1960 — ქალებისათვის). I მსოფლიო ომში (1914—18) ს.-მ. ანტანტის მხარეზე იბრძოდა, 15 ჯარისკაცი გამოიყვანა. 1923 ძალაუფლება ფაშისტებმა იგდეს ხელთ. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ 1944 ივნ-ში ს.-მ-ს ტერიტ. ინგლ.-ამერ. ავიაციამ დაბომბა, ხოლო სექტ-ში ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტური ჯარების მიერ. 1945 პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა ანტიფაშისტური პარტიების ბლოკმა. 1956 დამყარდა საკონსულო ურთიერთობა სსრკ-თან. 1974 მთავრობა შეადგინეს ქრისტ.-დემოკრ. პარტიამ (ქდპ) და სოციალისტებმა, 1977 ქდპ-სა და სოციალისტებს შორის განსხეთქილების გამო დაიწყო მთავრობის კრიზისი. 1978 წ. 23 მაისს დიდი გენ. საბჭო დაითხოვეს და დანიშნეს პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. 1978 წ. 28 მაისს არჩევნებისა და 1981 მომზდარი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა, რ-შიც შედიოდნენ კომუნისტური, სოციალ., ერთიანი სოციალ. და ს. დ. პარტიების წარმომადგენლები. 1983 ივნ. ჩამოყალიბებულ კოალიციურ მთავრობაში შევიდნენ: კომუნისტური, სოციალ. და ერთიანი სოციალ. პარტიების წარმომადგენლები.

სამრეწვ. და შინამრეწველური წარმოება აკმაყოფილებს საშინაო მოთხოვნილებებს და ემსახურება უცხოელ ტურისტებს. არის საფეიქრო (შალისა და ტრიკოტაჟის ნაწარმი), ცემენტის, ქაღალდის, ტყავის, ლითონდასამუშ., ქიმ., ავეჯის, კერამ. (უმთავრესად მაიოლიკისა და მინის ნაკეთობანი) მრეწვ. საწარმოები. იღებენ საშენ ქვასა და გოგირდს. სოფ. მეურნეობაში ჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობები. სას.-სამ. მიწების ფართობია დაახლ. 1 ათ. ჰა. არის მარცვლეულის ნათესები, ვენახები. ს.-მ. საგარეო კავშირებს ახორციელებს იტალ. ქალაქ-ნავსადგურ რიმინის მეშვეობით. საგარეო-სავაჭრო კავშირი აქვს უმთავრესად იტალიასთან. სახელმწიფოს ყოველწლიური ფულადი შე... მოსავლის დაახლ. 1/3-ს იძლევა უცხ. ტუ... რიზმი (დაახლ. 3 მლნ. ტურისტი წელი... წადში), საფოსტო მარკებისა და სუვე... ნირების (მ. შ. სპეც. მონეტების) გამოშ... ვება. ს.-მ-ს საბაჟო და საფოსტო კავშირი... აქვს იტალიასთან. მათ შორის არაებობს შე... თანხმება: ს.-მ. არ უშვებს საკუთარ ფულის... ნიშნებს, არა აქვს საბაჟო სამსახური, მის... ტერიტორიაზე არ არის რადიო- და ტელე... სადგური, სათამაშო სახლები და სხვ... საიდანაც ის მიიღებდა მოგებას, ამიტომ... იტალია ყოველწლიურად უხდის კომპენ... საციას (4,5 მლრდ. ლირა)

განათლების ორგანიზაცია განსაზღვ... რულია 1946 დებულებით. ყველა სკოლ... სახელმწიფოა. სავალდებულოა 6—14 წლი... ასაკის ბავშვთა სწავლება. დაწყ. სკოლ... 5-წლიანია, საშ. სკოლა შედგება 3-წლია... ნი არასრული და 5-წლიანი სრული სა... სკოლებისაგან. 1983 ს.-მ-ს 18 დაწყ. სკო... ლაში სწავლობდა 1600-მდე მოსწავლე... ერთ სრულ საშ. სკოლაში—840 მოსწავლე...

დედაქალაქი მჭიდროდ არის განაშენი... ანებული მთის ფერდობზე ტერასებად შე... ფენილი, გალავნით გარშემორტყმული 1... 3-სართულიანი სახლებით. შუა საუკ. კო... მუნ. და საეკლ. ნაგებობები ძლიერ სახე... შეცვლილია. ს.-მ-ს ტერიტორიაზე სახე... ხელოვნ. ბეგლები მიეკუთვნება რიმინის... (XIV ს.) და ბოლონიის (XVII ს.) სკო... ლებს. დეკორ. გამოყენებით ხელოვნები... დარგებიდან განვითარებულია ქვაზე კვე... თა და კერამიკა.

სან-მარტინი (San Martin) ხოსე (25... II. 1778, იაპეიუ, კორიენტესის პროვ., — 17. VIII. 1850, ბულონი), არგენტინის ერო... ვნული გმირი, გენერალი, ესპანეთის კოლო... ნიების ამერიკაში დამოუკიდებლობისათ... ვის ომის 1810—26 ერთ-ერთი ხელმძღვა... ნელი. 1814 ს. დანიშნეს ესპ. კოლონიზა... ტორების წინააღმდეგ მებრძოლი არგენტ... პატრიოტების ჩრდ. არმიის მეთაურად... ლა-პლატის გაერთ. პროვინციების (1826... იდან არგენტინა) დამოუკიდებლობის გა... მოცხადების შემდეგ (1816) იგი ანდები... არმიის მთავარსარდლად გამოაცხადეს. ან... დები გადალახა და ჩილეში შევიდა. ჩაკა... ბუკოსა (1817 თებ.) და მაიპუსთან (181... აპრ.) ესპანეთის ჯარების განადგურები... შემდეგ ჩილეს დამოუკიდებლობა გამოა... ცხადა. 1820—21 პერუდან ესპანელებ... განდევნა და პერუს დამოუკიდებლობა გა... მოაცხადა. 1829 ივლ-ში ს.-მ. სამხ. დ... პოლიტ. მოღვაწეობას ჩამოსცილდა და... საფრანგეთში გადასახლდა.

ლიტ.: Mitre B., Historia de San Martin, B. Aires, 1950.

სან-მიგელი (San Miguel), მოქმედი უულკანი სალვადორის სამხრ.-აღმ. ნაწილში... ერთ-ერთი ყველაზე აქტ. ვულკანი ცენტრ... ამერიკაში. სიმაღლე 2130 მ, მთავარი კრა... ტერის გარშემოწერილობა დაახლ. 3 კმ... სიღრმე 150 მ. კალთებზე ბევრი თან... კონუსი და ფუმაროლია.

სან-მიგელი (San Miguel), ქალაქი აღ... სალვადორში, პანამერ. გზატკეცილზე... სან-მიგელის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 75... ათ. მცხ. (1978). რკინიგზით უკავშირდე... ბა ნავსადგურ ლა-უნიონს. სას.-სამ. რ-ნ... ცენტრი. საფეიქრო, კვების, ტყავის მრეწ... საწარმოები.

სანმიკელი (Sanmicheli) მიკელე (148... ვერონა, — 1559, იქვე), იტალიელი არქ... ტექტორი, მალალი რენესანსის წარმომად... გენელი. როგორც არქიტექტორი ჩამოყ... ლიბდა რომში—დ. ბრამანტეს და ჯული... ნო და სანგალოს წრეში. 1509—27 იყ... პაპის სამსახურში, 1528-იდან ვენეციი... რესპ. ციხესიმაგრეთა მთავარი არქიტე... ტორი. ააშენა ციხესიმაგრეები ბერგამოში, ბერგამოში, ჰერაკლიონსა და სხვ. ქ-ებში... ბრამანტეს ორდერული სისტემა გაამდიდ... რა რთული დეკორ. დეტალებით, შექმ... პალაცოს ახლებური ნიმუშები, რ-ებშ...

თავარ არქიტ. ელემენტს წარმოადგენდა ვიდებული ფასადები, ს-ს ნაგებობებმა პალაცო ბევილაკვა, 1532; ქალაქის სიმაგრეების კარი—პორტო პალიო, 1557 და ხვ.; მადონა დი კამპანიას ცენტრალურ-უმბათოვანი ეკლესია ვერონის მახლობლად, 1559-იდან) მნიშვნელოვნად განსაზღვრა ვერონის სახე. აშენებდა ორვიეტოსა და ვენეციაში (პალაცო გრიმანი, 1556—62).

ანორჩი, სოფელი ცაგერის რ-ნში (ღვირისის სოფსაბჭო), მდ-ების ცხენისწყლისა და ღიონის წყალგამყოფზე. ზ. დ. 800 *მ*, აგერიდან 8 *კმ*. ღვირიშის კოლ-ბა (მეინდვრეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ნასპერში (1,5 *კმ*). ბ-კა. წყაროში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ანოტო დამფერლობა, ნოტაცია (ლათ. notatio — ჩაწერა, აღნიშვნა), რაფიკული ნიშნების სისტემა, რ-საც იყენებენ მუსიკის ჩასაწერად. ს. დ-ის საწყისები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ერ კიდევ ძვ. საბერძნეთში არსებობდა გერათა ჩაწერის ასოითი სისტემა (აღნიშნავდა მხოლოდ ბგერათა სიმაღლეს და რა გრძელივობას), რ-იც მუს. პრაქტიკაში ამკვიდრებული იყო X ს-მდე. ამ დროიდან ერძნ. ასოები შეიცვალა ლათინურით (ამ ახით იხმარება XX ს-ში ცალკეული გერისა თუ ტონალობის აღსანიშნავად). ნიშნელოვან ეტაპს ს. დ-ის განვითარებაში წარმოადგენს შუა საუკ. გავრცელებული ნევმური დამწერლობა. განსაკუთებული ნიშნებით—*ნევმებით* ხდება საგალობლების მელოდიის გახსენება (სიმაღის ზუსტი აღნიშვნის გარეშე). მოგვიანებით ბგერათა სიმაღლის უფრო ზუსტი ნიშვნისათვის იყენებდნენ ჰორიზ. ხაებს. XI ს. იტალ. მუსიკის თეორეტიკოსი გვიდო დ'არეცომ შემოიღო 4 სანოტო ზის სისტემა, რ-იც წარმოადგენს თანაიდრიეც სანოტო დგანის პროტოტიპს. ხაის დასაწყისში მან მოათავსა ბგერების სიმაღლის აღმნიშვნელი ასოითი ნიშნები ეს ნიშნები თანამედროვე გასაღებების პროტოტიპებია). შემდგომ ხაზების რაოენობა გაიზარდა 5-მდე, ხოლო ნევმური ნიშნები შეიცვალა კვადრატულთავიანი ოტებით. ეს ნოტაცია ფართოდ გამოიყენება გრიგორიანული ქორალის ჩასაწერად და მას ქორალურ ნოტაციას უწოდებენ. ემდეგ ეტაპს წარმოადგენს ე. წ. მენზურული ნოტაცია, რ-იც ახდენს ბგერის სიმაღლისა და გრძელივობის ფიქსაციას. V—XVII სს-ში საკრავიერი მუსიკის ჩაწერად პარალელურად, არსებობდა დაწერლობის ასოითი ანუ ციფრული სისტემა, ე. წ. *ტაბულატურა*. XVII — XVIII-ში აკორდებს იწერდნენ ციფრების მეშვეობით, ბანის ხმის ნოტის თავზე ან ქვე (იხ. *გენერალბასი*). სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო ასოითი ჩაწერა დღესაც ფართოდ გამოიყენება ჯ.-თეორ. ნაშრომებში. იგი მცირედი ცვლილებებით შემორჩენილია ინდოეთში. ციფრული სისტემა გამოიყენება ეს. ლიტ-რაში ხალხ. საკრავებისათვის (balalaika, დომრა და სხვ.). არსებობს წერტილოვანი ს. დ. უსინათლოთათვის (ე. წ. ბრაილის ანბანი; გამომგონებლის — უსინათლო გერმ. კომპოზიტორის გვარის მიხედვით). ს. დ-ს გააჩნია ემოკლების ნიშნები (იხ. *აბრევიატურა*).

თანამედროვე ს. დ. მუს. ნაწარმოების ნოტო ტექსტის ზუსტი ჩაწერის საშუალებას იძლევა. თუმცა შემსრულებელი ველთვის ახერხებს ამ ტექსტიდან გადაცემის გარეშე მისცეს ნაწარმოებს საკუთარი ინტერპრეტაცია. XX ს-ში ავანგარდისტული მუს. მიმდინარეობების წარმომდგენლებმა შემოიღეს ახ. შემსრულებლობითი აღნიშვნები, რ-თაც გავრცელება ერ პოვეს. ს. დ. საქართველოში შეიქმნა ს-ში. იხ. *მიქაელ მოდრეკილი*.

ლიტ.: Нернберг М., Нотная грамота, Л., 1953.

სანოტო დგანი, ხუთი ჰორიზონტალური პარალელური ხაზისაგან შემდგარი სტროფი, რ-ზედაც იწერება ნოტები. იხ. *სანოტო დამწერლობა*.

სან-პაულუ (São Paulo), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, სან-პაულუს შტატის ადმ. ცენტრი. 12,7 მლნ. მცხ. (1980). მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი. ქვეყნის დიდი ეკონ. ცენტრი. განვითარებულია მანქანათშ., ქიმ., საფეიქრო მრეწვ., არის მეტალ., ცელულოზა-ქაღალდის, ავეჯის, მინის, კერამ., სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ. საწარმოები. ს.-პ. ქვეყნის მთავარი სატრანსპ. კვანძია, მნიშვნელოვანი სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. ყავის ბაზარი. ს.-პ-ს საზღვ. ჭიშკარია ნავსადგური სანტუსი. ქალაქი დააარსეს იეზუიტებმა 1554 წ. 25 იანვ. წმ. პავლეს სახ. დღეს. XVI—XVIII სს-ში ყავის პლანტაციების ცენტრი იყო. 1822 აქ გამოცხადდა ბრაზილიის დამოუკიდებლობა. XIX ს. დასაწყისში ბრაზილიაში პირველი კაპიტალ. მანუფაქტურები ს.-პ-ში გაჩნდა. XX ს. დასაწყისში ს.-პ. დიდი სამრეწვ. ცენტრი ხდება.

ს.-პ-ს ცენტრში დაწესებულებების, სასტუმროების, სავაჭრო ცენტრებისა და სხვა მაღლივი შენობებია. საპარკო რაებში (ჟარდინ ამერიკა, ჟარდინ ეურობა და სხვ.) მაღლივი საცხოვრ შენობები და კერძო სახლებია, ჩრდ და სამხრ.-აღმ. რ-ნებში — სამრეწვ. ზონები. ეკლექტიკური სტილისაა საოპერო თეატრი (1911), საკათედრო ტაძარი (1910—54) და სხვ. ს.-პ-შია თანამედროვე ბრაზ. არქიტ. პირველი მნიშვნელოვანი ნაგებობანი (მ. შ. საცხოვრ. კერძო სახლი იტაპოლისის ქუჩაზე, 1929, არქიტ. გ. ვარშავჩიკი და სხვ.). XX ს. სხვა ნაგებობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სტადიონი „პალმეირასი" (1953, არქიტ. ჟ. ვ. არტიგასი) და სხვ. მუზეუმები, 3 უნ-ტი.

სან-პაულუ (São Paulo), შტატი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში. ფართ. 247,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 21,9 მლნ. კაცი (1977), აქედან დაახლ. 65% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც.—ქ. სან-პაულუ. შტატს უჭირავს ბრაზ. ზეგნის სამხრ.-აღმ. ნაწილი. პავა ტროპიკულია. ს.-პ. ეკონომიკურად ქვეყნის ყველაზე განვითარებული შტატია (იძლევა ბრაზ. მრეწვ. მთლიანი პროდუქციის 50%-ზე და სოფ. მეურნ. პროდუქციის 40%-ზე მეტს). განვითარებულია მანქანათშ., მეტალურგია, ცელულოზა-ქაღალდის, ცემენტის, საფეიქრო, ქიმ.-ფარმაცევტული, კვების მრეწველობა. სამრეწვ. საწარმოები კონცენტრირებულია უმთავრესად სან-პაულუს აგლომერაციაში. მოჰყავთ ყავა, შაქრის ლერწამი, ბამბა, სიმინდი, მანიოკი, ლობიო, ციტრუსები და სხვ. მისდევენ მესაქონლეობას, თევზჭერას. მთავარი ნავსადგურია სანტუსი.

სან-პედრო-სულა (San Pedro Sula), ქალაქი ჩრდ.-დას. ჰონდურასში, კორტესის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 173 ათ. მცხ. (1977). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. კვების, საფეიქრო, საშენ მასალათა მრეწველობა.

სან-ჟოზე-დუს-კამპუსი (São Iosé dos Campos), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, სან-პაულუს შტატში, პარაიბის ხეობაში. 240 ათ. მცხ. (1980). რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი. საფეიქრო, კვების, ქიმ., მანქანათსაშ. (საავტ., ელექტროტექ.) მრეწველობა. დაარსდა XVI ს. II ნახევარში.

სან-ჟუან-დი-მერიტი (São João de Meriti), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროს შტატში. რიო-დე-ჟანეიროს ჩრდ.-დას. გარეუბანი. 442 ათ. მცხ. (1980). მებაღეობისა და მევენახეობის ზონის ცენტრი.

სან-რემო (San Remo), ქალაქი ჩრდ. იტალიაში, იტალ. რივიერაში, იმპერიის პროვინციაში. 63,2 ათ. მცხ. (1973). ბალნეოლ.-კლიმ. კურორტი. იცის თბილი ზამთარი, გრილი ზაფხული. სამკურნ. საშუალება: ზღვაში ბანაობა (მაის-ნოემბ.). სამედ. ჩვენება: ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობა, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი. განვითარებულია ტურიზმი; 1951-იდან ყოველწლიურად ტარდება იტალ. სიმღერების საერთაშ. ფესტივალი. ხუროთმოძღვრების ძეგლებია: სან-სიროს ეკლესია (XIII — XIV სს.), გალავნის ნაშთი (XIII—XIV სს.), ზღვის სანაპიროს მადონას ეკლესია (XV ს.).


სან-სალვადორი (San Salvador), სალვადორის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. გაშენებულია პანამერ. გზატკეცილზე, ამაკასის ხეობაში, ვულკან სან-სალვადორის ძირში, დაახლ. 700 *მ* სიმაღლეზე. ჰავა ტროპიკულია. დეკ. საშ. ტემპ-რა 22°C, აპრ. (ყველაზე ცხელი თვე) 24,6°C. ნალექები 1800 *მმ* წელიწადში. 800 ათ. მცხ. (1981). დააარსეს ესპანელებმა 1525. სალვადორის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1821) შემდეგ ქვეყნის დედაქალაქია. XX ს. დასაწყისიდან მშრომელთა მოძრაობის ცენტრი გახდა. მშრომელთა დიდ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1932, 1944, 1946, 1960. ს.-ს-ის სამრეწვ. საწარმოები იძლევა ქვეყნის მრეწვ მთლიანი პროდუქციის 1/4-ზე მეტს. საფეიქრო (მ. შ. ბამბის ქსოვილებისა და პენეკენის ტომრების დამამზადებელი დიდი ფ-კები), კვებისა და ლითონდასამუშ. მრეწველობა. მიწისძვრების (1798, 1854, 1873, 1965 და სხვ.) შედეგად დანგრეული ქალაქი რამდენჯერმე აშენდა რეგულარული გეგმის მიხედვით. უმთავრესად 1—2-სართულიანი სახლები, ფართო ქუჩები და ბევრი პარკია. XX ს. შუა წლებიდან შენდება მაღლივი შენობები. არქიტ. ძეგლები: ელ სენიორ სან-ხოსეს (1783), ხესუკრისტოს (1785) და სხვა ეკლესიები. ქალაქის ცენტრშია მოედანი პლასა ბოლივარი და ბოლივარის პარკი, სადაც აღმართულია ეროვნ. სასახლე (1902—07) ს.-ს-ში არის რამდენიმე თეატრი და კონსერვატორია.



ს. სან-მარტინი.



სან-პაულუ. ავენიდა და ლუსი



სან-სალვადორი. ბოლივარის მოედანი.

სანსარა (სანსკრ. — მოგზაურობა, სიცოცხლის გზა, ყოფიერება), მოძღვრება ინდურ რელიგიებში (ბრაჰმანიზმი, ბუდიზმი, ჯაინიზმი) სულის მარადიულობის შესახებ. ამ მოძღვრების თანახმად, სული არ კვდება მიწიერ მატერ. სხეულთან ერთად, არამედ გადადის სხვა ფორმაში (სულის გადასახლება, მეტაფსიქოზი) და მუდმივ მოძრაობაშია. მოძღვრება ს-ის შესახებ პირველად უპანიშადებში (ძვ. წ. VII—ძვ. წ. III სს.) გვხვდება. ინდ. ფილოს. თანახმად, ადამიანი პასუხს აგებს თავის განვლილ ცხოვრებაზე, იმ ბოროტ თუ კეთილ საქმეებზე, რ-ებიც მას ჩაუდენია; სწორედ ამ მოძღვრებამ წარმოშვა შურისძიების იდეა, რ-იც ახლავს განვლილ თუ მიმავალ ცხოვრებას, მარად მოძრავ სიცოცხლეს, რ-საც არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. სამყაროს ყოფიერებაზე მიჯაჭვულ არსებებს უნარი აქვთ დაანგრიონ ეს მარადიული კანონი, თუ დაეუფლებიან იმ განმათავისუფლებელ ცოდნას, რ-საც მათ სხვადასხვა ინდ. ფილოს. სკოლა სთავაზობს. ცოცხალ არსებათა ს. განისაზღვრება ქცევით, ქცევა-სურვილებით, სურვილები — ჭეშმარიტი არსის და საგანთა მნიშვნელობის არცოდნით. სწორედ ეს არის ს-ის ძირითადი მიზეზი.

სან-სებასტიანი (San Sebastián), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. ესპანეთში, ბასკების ქვეყანაში, ბისკაიის ყურის ნაპირზე, მდ. ურუმეის შესართავთან. გიპუსკოას პროვ. ადმ. ცენტრი. 176 ათ. მცხ. (1980). მანქანათსაშ., ქიმ., ქაღალდის, საფეიქრო, ცემენტის, კვების მრეწველობა. თევზჭერის ცენტრი. ზღვისპირა კლიმ. კურორტი. პერიოდულად იმართება საერთაშ. კინოფესტივალები ტურიზმი.

სანსკრიტი (ინგლ. Sanscrit< სანსკრ. სამსკრტა — დამუშავებული, სრულქმნი-



ა. სანსოვინო. „ნათლისღება". სკულპტურული ჯგუფი. სან-ჯოვანის ბაპტისტერიუმი. ფლორენცია. მარმარილო. დაიწყო 1502.

ლი), ძველი ინდური ენა; განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდოარიულ შტოს. გარაუდობენ, რომ წარმოიშვა ძვ. წ. I ათასწლეულში. ცოცხალი, სალაპარაკო ენების — პრაკრიტებისაგან განსხვავებით, სწავლულთა ენა იყო; მასზე შეიქმნა უმდიდრესი ფილოს. და რელიგ. ლიტ-რა, ეპიკური პოემები და კლასიკური დრამები, პოლიტ., მათ., სამედ., გეოგრ., გრამატ. ტრაქტატები.


არსებობს ს-ის რამდენიმე სახესხვაობა: ეპიკური, კლასიკური, ვედური, ბუდისტური, ჯაინური. ს-ის დამწერლობაა დევანაგარი („ღმერთების ენა"), რ-იც ჩამოყალიბდა II ს-ში. დევანაგარი — სილაბური მარცვლოვანი სისტემის ანბანი — შედგება 47 ფონემისაგან (14 ხმოვანი და 33 თანხმოვანი).

ს-თვის დამახასიათებელია ხმოვანთმონაცვლეობის 3 საფეხური: დაბალი (ნულოვანი), პირველი (ძირითადი) და მეორე (ამაღლებული). სახელს აქვს 3 სქესი, 3 რიცხვი და 7 ბრუნვა; ზმნას — 10 დრო და კილო, 3 რიცხვი, 3 პირი, 2 გვარი — აქტიური და საშუალო. ულლების მიხედვით ზმნის ძირები 10 კლასად იყოფა.

ლიტ.: Иванов В. В., Топоров В. Н., Санскрит, М., 1960; Renou L., Grammaire sanscrite, 2 éd., P., 1961; Burrow T., The Sanskrit language, 2 ed., L., 1965.

სანსკრიტული ლიტერატურა, ინდოეთის ხალხთა ლიტერატურა კლასიკურ სანსკრიტზე. სათავეს იღებს ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე ძვ. ინდოეთში. მისი უწყვეტი ტრადიცია განსაზღვრავს ინდ. კულტ. მემკვიდრეობითობას, მის ცოცხალ კავშირს ინდ. სხვა (არაინდოარიულ) ენებზე არსებულ ლიტ-რასთან. კლასიკური ს. ლ-ის აყვავების ხანაა ახ. წ. I ათასწლეული. ს. ლ. მოიცავს მხატვრულ და მეცნ. ლიტ-რის მრავალფეროვან ჟანრებს — უდიდეს ეპიკურ პოემებს, მსოფლიოში ცნობილ ზღაპართა და იგავ-არაკთა კრებულებს, დრამატურგიას, ლირიკას, რომანს, პოეტიკურ და გრამატ. ტრაქტატებს (რ-ებმაც გავლენა მოახდინეს ევრ., ამერ. და აზიის საენათმეცნიერო აზროვნების განვითარებაზე), პოლიტ., იურიდ., სამედ., რელიგ., ფილოს., მათ., გეოგრ. და მრავალი სხვა დარგის თხზულებებს. ს. ლ-ს თავისი კვალი დაამჩნია „ვედამ", „ბრაჰმანებმა", რ-ებიც, გარდა ვედების კომენტარებისა, შეიცავენ მითებს, ლეგენდებსა და მოთხრობებს, აგრეთვე ფილოს. ტრაქტატებმა „უპანიშადებმა". ვედურ-ს. ლ-ის უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნება ე. წ. არანიაკები და სუტრები (ტყის წიგნები მწირთა ქცევის შესახებ) და სხვადასხვა ხასიათისა და დარგის სახელმძღვანელოები.

ს. ლ-ის თხრობითი ჟანრის ნიმუშთა (*ჯატაკები*, „*პანჩატანტრა*", „*ჰითოპადეშა*", „ვეტალას 25 მოთხრობა" და სხვ.) ფესვები არიულ და წინაარიულ კულტ. მემკვიდრეობაშია. მოგვიანებით ჩამოყალიბდა პროზის ჟანრი, რ-საც ინდურ რომანს უწოდებენ. აღსანიშნავია *დანდინის*, სუბანდჰუს, ბანას რომანები. რომანის ჟანრს განეკუთვნება აგრეთვე ჩამპუ, რ-იც ხასიათდება ტექსტში ლექსისა და პროზის მონაცვლეობით ძვ. ინდ. ტრადიციის მიხედვით.



ი. სანსოვინო. ლოჯეტა სან-მარკოს მოედანზე. ვენეცია. შენდებოდა 1537-იდან.

ინდ. დრამის სათავეები ძვ. ინდ. რიტუალში, ვედებისა და ბრაჰმანების დიალოგებსა და „*მაჰაბჰარატას*" დრამატიზებულ ნაწილშია წარმოდგენილი. XX ს. დასაწყისში აღმოჩნდა ინდ. დრამის უძველესი ნიმუშები *აშვაგჰოშას* ბუდისტური დრამის ფრაგმენტებისა და *ბჰასას* პიესების სახით. ფართოდაა ცნობილი პიესა „მრიჩჰაკატიკა" („თიხის ურემი"), რ-იც *შუდრაკას* მიეწერება, უდიდესი პოეტისა და დრამატურგის *კალიდასას* „შაკუნტალა", სცილდება ინდ. დრამისათვის დამახასიათებელ სქემატიზმს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. ინდ. დრამისა და თეატრის სპეციფიკას შეადგენს მოვლენების დროსა და სივრცეში განაწილების დიდი პირობითობა, დეკორაციათა უქონლობა, პერსონაჟთა სოც. მდგომარეობის დასახასიათებლად მათი ამეტყველება პრაკრიტებზე, მასხარის შემოყვანა და პროლოგის შემოღება. ყველაზე ადრინდ. თეორ. ტრაქტატი თეატრ. ხელოვნ. შესახებ „ნატიაშასტრა" ბჰარატას მიეწერება.

სანსკრ. პოეზია მოიცავს პოემებს, ლირ. ლექსთა კრებულებს, ლექსად შეთხზულ მეცნ. ტრაქტატებს, პოლიტ. და იურიდ. თხზულებებს (მაგ., *მანუს კანონები*—მანუსმრიტი, *კაუტილიას ართაშასტრა* და სხვ.).

ეპიკური ს ლ-ის ძეგლებია „მაჰაბჰარატა" მასში ჩართული ინდუიზმის წმინდა წიგნად ქცეული „*ბჰაგავადგიტაში*", რ-შიც დაცულია ენციკლოპედიური ხასიათის ცნობები ძვ. ინდოელთა ცხოვრების შესახებ, და „*რამაიანა*". ორივე პოემას ატყვია სხვადასხვა ეპოქის ხალხ. გადმოცემების გადამუშავების კვალი. უძველეს გადმოცემებს მეცნიერები უკავშირებენ ბერძნ.-არიული ერთიანობის ხანას, ზოგიერთ მოტივს კი — ინდ. პრეარიულ ფოლკლორს (ლეგენდა ნალაზე ეხმაურება დრავიდულ და მუნდაენოვან ხალხთა გადმოცემებს). ამ პოემათა მოტივების გადამუშავების საფუძველზე აღმოცენდა მთელი ლიტ-რა სანსკრიტზე და ახ. ინდ. ენებზე. ეს იყო სამხრ.-აღმ. აზიის ლიტ-რათა განვითარების საწყისი ეტაპი. ეპიკური სანსკრიტის ძეგლებია მრავალრიცხოვანი პურანები სმრიტის (კანონთა კრებულები), ტანტრას (რელიგ. რჩევა-დარიგებანი) ჟანრისა. ფართოდაა ცნობილი აშვაგჰოშას პოემები, არიაშურას „ჯატაკათა გვირგვინი" და სხვ. სანსკრ. პოეზიის მწვერვალია კალიდასას პოემები. ინდ. პოეზიის განსაკუთრებული ჟანრია აფორიზმები ლექსად. ს. ლ-ის მოგვიანო პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია ჯაიადევას „გიტაგოვინდა", კავირაჯას (XII ს. დასასრ.) „რაგჰავაპანდავაია". ამ პოემაში სხვადასხვა ფორმალური ხერხით ავტორი აღწევს იმას, რომ ტექსტი შეიძლება გავიგოთ ორგვარად: ხან როგორც მაჰაბჰარატას და ხან როგორც რამაიანას შინაარსის გადმოცემა. სანსკრ. პოეზიის თეორ. საფუძველს შეადგენდა პოეტური ტრაქტატები, რ-ებზეც გაელენას ახდენდა ცოდნის სხვა დარგები (კამაშასტრა, ფილოსოფია, ლოგიკა, გრამატიკა, რიტორიკა). გვიანდ. ხანის სანსკრ. პოეზიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანანდავარდჰანას (დაახლ. IX ს.) ტრაქტატმა „დჰვანიალოკამ" („ლიტერატურაში ესთეტური სიამოვნების ბუნებისათვის").

ლიტ.: Серебряков И. Д., Очерки древнеиндийской литературы, М., 1971; Keith A. B., A history of Sanskrit literature, L., 1956; Šastri G., A concise history of classical Sanskrit literature, Oxf., 1960; Windisch E., Geschichte der Sanskrit-Philologie und indischen Alterthumskunde, Bd. 1—3, Lpz., 1917—21; Warder A. K., Indian Kāvya literature, v. 1, Delhi, 1972.

მ. ანდრონიკაშვილი.

სანსოვინო (Sansovino) (ნამდვ. გვარი კონტუჩი, Contucci) ანდრეა (დაახლ. 1460, მონტე-სან-სავინო, ტოსკანა,— 1529, იქვე), იტალიელი მოქანდაკე და არქიტექტორი. მუშაობდა პორტუგალიაში, ფლორენციაში, რომსა და ლორეტოში (1513—27; აქ შესრულდა ს-ს მთავარი არქიტ. ნამუშევრები და პროექტები). ს-ს სკულპტურული ნამუშევრები: ა. სფორცას და ჯ. ბასოს აკლდამები სანტა-მარია დელ პოპოლოს ეკლესიაში რომში (მარმარილო, 1506—09) და სხვ.

სანსოვინო (Sansovino; ნამდვ. გვარი ტატი, Tatti) იაკოპო (2. VII. 1486 ფლორენცია, — 27. XI. 1570, ვენეცია), მაღალი და გვიანდელი რენესანსის ხანის იტალიელი არქიტექტორი. მუშაობდა ფლორენციაში ა. *სანსოვინოსთან*, აგრეთვე რომში (1503—10, 1518—27), ფლორენციაში (1510—18), 1527-იდან — ვენეციას და პადუაში (1529-იდან ვენეციის რესპ მთავარი არქიტექტორი). ს-ს არქიტ. ნამ შევრები ვენეციაში [სან-ფრანჩესკო დელ ვინია (დაიწყო 1534-იდან, ფასადი ეკუთვ ნის ა. პალადიოს 1572), პალაცო კორ ნერი (1532-იდან), სან-მარკოს ბიბლ ოთეკა (1536—54), ზარაფხანა (ე. წ. ბ კა, დაიწყო 1536)] გამოირჩევა მდიდრული სკულპტურული და ფერწერული მორთულობით, რ-იც ექვემდებარება შენობის ტექტონიკას, სკულპტურული ნამუშევრებიდან აღ სანიშნავია „ბაკქუსი" (მარმარილო, 1512 ეროვნ. მუზეუმი, ფლორენცია), 4 ქანდაკება ლოჯეტის ფასადზე ვენეციაში (ბრინჯაო 1540—45) და სხვ.

სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება 1878, დაიდო 1878 წ. 19 თებ (3 მარტს) სტამბოლის მახლობლად, სა სტეფანოში. ეს იყო პრელიმინარული (წინასწარი) ხელშეკრულება, რ-ითაც დას რულდა რუს.-ოსმ. 1877—78 ომი. რუ მხრიდან ხელი მოაწერეს ნ. იგნატიევმ და ა. ნელიდოვმა, ოსმალთა მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა სავფეთ-ფაშამ და საადულა-ბეიმ (ოსმალთა ელჩ გერმანიაში).

ზავმა განამტკიცა ჩერნოგორიის, რ მინ. დამოუკიდებლობა, საგრძნობლად გააფართოვა მათი საზღვრები; ბოს ნიამ და ჰერცეგოვინამ მიიღეს ავტონომი ოსმალთა იმპერიის ფარგლებში, ბულგ რეთმა—დამოუკიდებლობა და მთავრის აი ჩევის უფლება, თუმცა ოსმალთა ვასალა მაინც რჩებოდა. ოსმალთა ჯარი ტოვებდ ბულგ. ტერიტორიას და მის ნაცვლად წლის ვადით რუს. ჯარი უნდა შესულიყო ოსმალეთი კისრულობდა ვალდებულებას გაეტარებინა მთელი რიგი ადმ. რეფორმე ბი ოსმ. სომხეთში და დაეცვა სომხებ ქურთებისა და ჩერქეზების შემოსევების გან. „ბრწყინვალე პორტა" კისრულობდ 1400 მლნ. მან. კონტრიბუციას. (XIX მუხლ ში, რ-შიც ლაპარაკი იყო კონტრიბუციაზე კავკ. მიერ ომში მიღებული ზარალი 1 მლნ. მანეთით იქნა შეფასებული). ვინა დან ეს თანხა ოსმ. ფინანსურ საშუალებ აღემატებოდა, რუსეთი დაკმაყოფილდ ოსმალთა მხრიდან ზოგიერთი ტერიტ დათმობითა და 310 მლნ. მან. კონტრ ბუციით. აზიაში ეს ტერიტორიები იყ ბათუმი, არტაანი, ყარსი, ბაიაზიდი დ სხვ. რუსეთმა ზავის პირობებით განიმტ კიცა პოზიციები ბალკანეთსა და კავკას ში. რუს. ამ წარმატებებმა ინგლ. ი ავსტრ.-უნგრ. უკმაყოფილება გამოიწვი ინგლისელებმა დაითანხმეს რუსეთი და დო ხელშეკრულება ლონდონში (1878 რ-იც ითვალისწინებდა ს.-ს. ს. ხ-ის პ რობების გადასინჯვას, რაც საბოლოო *ბერლინის კონგრესზე* (1878) მოხდ აზიაში ალაშკერტის ველი და ბაიაზე ოსმალეთს დაუბრუნდა.

ს.-ს. ს. ხ. ბულგარელი ხალხის ეროვნ განმათ. თარიღად ითვლება.

პუბლ.: Сборник договоров России с другими государствами. 1856—1917, М., 193
ლიტ.: სურგულაძე ა., რუსეთი X საუკუნის 60—80-იან წლებში, თბ., 1964.

გ. პაიჭაძ

სანტა-ანა (Santa Ana), ქალაქი აშშ-ის სამხრ.-დს. ნაწილში, კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჯელესის სამხრ.-აღმ-ით. 206 ათ. მცხ. (1980). ავიასარაკეტო, რადიოელექტრონული, სას.-სამ. მანქანათაშ., საკონსერვო მრეწველობა. კლიმ. კურორტი.

სანტა-ანა (Santa Ana), ქალაქი სალვადორის დას. ნაწილში, პანამერ. გზატკეცილზე. სანტა-ანას დეპარტ. ადმ. ცენტრი. 114,9ათ. მცხ. (1978). სარკინიგზო კვანძი. სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად ყავა) ცენტრი. კვების, საფეიქრო, ტყავის, ხის დასამუშ. მრეწველობა.

სანტა-ბერბარიჯის ჯიში მსხვილი რქოსანი საქონლისა, სახოცე მიმართულების ჯიში, რ-იც გამოყვანილია აშშ-ში XX ს. I ნახევარში შორტჰორნის ჯიშის ფურისა და ზებუს კუროს შეჯვარებით. ფერად მუქი წითელია, ადვილად იტანს დიდ სიცხეს საძოვრებზე, გამძლეა სისხლის პარაზიტებისადმი. კურო იწონის 700—800 კგ. ფური 500—600 კგ. ნაკლავის გამოსავალი 63—65%. სსრკ-ში 1956 შემოიყვანეს. მოშენებულია ყაზახეთში და შუა აზიის ზოგ სხვა რ-ნში. იყენებენ სარძეო და სარძეო-სახორც ჯიშებთან სამრეწვ. შეჯვარებისათვის. საქართველოში ეს ჯიში არ არის გავრცელებული. *თ. ფირცხალაიშვილი.*

სანტა-ისაბელი (Santa Isabel), ეკვატორული გვინეის დედაქალაქ *მალაბოს* სახელწოდება 1973-მდე.

სანტა-კატარინა (Santa Catarina), შტატი სამხრ. ბრაზილიაში. ფართ. 95,9 ათ. კმ². მოსახლ. 3,6 მლნ. კაცი (1977). ადმ. ც. — ქ. ფლორიანოპოლისი. ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. მოჰყავთ მარცვლეული, აგრეთვე მანიოკი, ლობიო, თამბაქო, ყურძენი და სხვ. მისდევენ მეცხოველეობას. ამზადებენ ხე-ტყეს. არის ხე-ტყის სახერხი, ხის დასამუშ., ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო, კვების მრეწვ. საწარმოები.

სანტა-კლარა (Santa Clara), ქალაქი კუბის ცენტრ. ნაწილში, ვილია-კლარას პროვ. ადმ. ცენტრი. 171,9 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. თამბაქოს, ღვინის, საფეიქრო და სხვა საწარმოები. ცენტრ. უნ-ტი. ქალაქის მახლობლად შაქრის ქ-ნებია. ს.-ჯ. დაარსდა XVII ს-ში.

სანტა-კრუს-დე-ტენერიფე (Santa Cruz de Tenerife), ქალაქი და ნავსადგური კ. ტენერიფეზე (კანარის კ-ები, ატლანტის ოკ.). ესპ. პროვ. სანტა-კრუს-დე-ტენერიფეს ადმ. ცენტრი. 162 ათ. მცხ. (1976). საწვავის სადგური ტრანსატლანტიკური რეისის გემებისათვის. ნავთობსაწმენდი ქ-ნა. მეღვინეობა.

სანტა-კრუსი (Santa Cruz) ანდრეს (30. XI. 1792, ლა-პასი, — 25. IX. 1865, პერუ-ნაზარი, საფრანგეთი). ბოლივიისა და პერუს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, მარშალი. დაიბადა მდიდარი ესპამაულის ოჯახში. იყო ესპ. სამეფო არმიის პოლკოვნიკი. 1820 შეუერთდა ამერიკაში ესპ. კოლონიების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს. იბრძოდა ხ. *სანმარტინისა* და ს. *ბოლივარის* არმიებში. 1829—39 ს.-ჯ. ბოლივიის პრეზიდენტი იყო. გაატარა მთელი რიგი ადმ.-ფინანს. რეფორმები. 1836—39 თავი პერუსა და ბოლივიის კონფედერაციის პროტექტორად გამოაცხადა. კონფედერაციის წინააღმდეგ ჩილეს შეიარაღებული გამოსვლის შემდეგ კონფედერაცია დაიშალა, 1843 წ.-ჯ. შეეცადა კვლავ ხელში ჩაეგდო ძალაუფლება ბოლივიაში, მაგრამ დამარცხდა და საფრანგეთში გადასახლდა.

სანტა-კრუსი (Santa Cruz), უდიდესი კუნძული ვირჯინიის კ-ების ჯგუფში, ესტინდოეთში. აშშ-ის სამფლობელო. ფართ. 207 კმ². მოსახლეობის უმრავლესობა ზანგია. აგებულია კირქვებით. სიმაღლე 354 მ-მდე. საათების წარმოება. დაფნისა და შაქრის ლერწმის პლანტაციები. ტურიზმი. დიდი ქალაქია კრისტიანსტედი.

სანტა-კრუსი (Santa Cruz), ქალაქი აღმ. ბოლივიაში, მდ. პირაის ნაპირზე. სანტა-კრუსის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 237 ათ. მცხ. (1976). საავტ. გზების კვანძი, რკინიგზის სადგური. კვების, ტყავის, ხის დასამუშ., ნავთობგადასამუშ. მრეწველობა. სას.-სამ. რ-ნის ცენტრი. უნ-ტი. ს.-ჯ. დაარსდა 1560.

სანტალები, ინდოეთში (ბიჰარის, დას. ბენგალის და ორისის ოლქში) მცხოვრები მუნდა ხალხებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი. რაოდ. დაახლ. 4,4 მლნ. კაცი (1978, აღწერა). ენა სანტალი, განეკუთვნება მუნდა ენებს. რელიგიით ინდუისტები არიან. თაყვანს სცემენ აგრეთვე სხვადასხვა სულს (ტყის, მთის და სხვ.). ინარჩუნებენ პირველყოფილი ურთიერთობის გადმონაშთებს. ძირითადი საქმიანობაა — მიწათმოქმედება, მისდევენ აგრეთვე ნადირობას, შემგროვებლობას. მუშაობენ პლანტაციებში, საწარმოებში, მაღაროებში, ნავსადგურის მუშად.

სანტა-მარია (Santa Maria), ქალაქი სამხრ. ბრაზილიაში, რიუ-გრანდი-დუ-სულის შტატში. 211 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. სარკინიგზო სახელოსნოები. ლუდის, ხორცის გადასამუშ., ტყავის საწარმოები.

სანტა-მარტა (Santa Marta), ქალაქი ჩრდ.-დას. კოლუმბიაში. მაგდალენის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 102,5 ათ. მცხ. (1973). ნავსადგური კარიბის ზღვაზე; რკინიგზით უკავშირდება ბოგოტას. კვებისა და საფეიქრო მრეწველობა. უნ-ტი. ს.-ჯ. დაარსდა 1525.

სანტანდერი (Santander) ფრანსისკო დე პაულა (2. IV. 1792, კუკუტა,— 6. V. 1840, ბოგოტა), ახალი გრანადის (კოლუმბიის) სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. გენერალი, ახალ გრანადაში დამოუკიდებლობისათვის ომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1813-იდან. დიდი კოლუმბიის ვიცე-პრეზიდენტი (1819—28), ს. *ბოლივარის* სამხ. ლაშქრობების დროს ფაქტობრივად პრეზიდენტი იყო. 1828 ბრალი დასდეს ს. ბოლივარის წინააღმდეგ შეთქმულებაში და სიკვდილი მიუსაჯეს (ს. ბოლივარმა სასჯელი ქვეყნიდან გასახლებით შეუცვალა). 1832—37 ახალი გრანადის პრეზიდენტი: ლიბერ. პარტიის ლიდერი. 1838 კონგრესის დეპუტატი.


სანტანდერი (Santander), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. ესპანეთში, ძვ. კასტილიის ოლქში, ბისკაიის ყურის ნაპირზე. სანტანდერის პროვ. ადმ. ცენტრი. 180 ათ. მცხ. (1980). მნიშვნელოვანი სამრეწვ. და სავაჭრო ცენტრი. მეტალ., ლითონდასამუშ., მანქანათაშ., ქიმ., ნავთობგადასამუშ., საფეიქრო, ქაღალდის, კვების მრეწველობა. უნ-ტი (დაარსდა 1892). ზღვისპირა კურორტი.

სანტა-ფე (Santa Fe), ქალაქი არგენტინაში, სანტა-ფეს პროვ. ადმ. ცენტრი. 245 ათ. მცხ. (1975). ნავსადგური მდ. პარანაზე, რიო-სალადოს შესართავში (შედიან საზღვ. გემები). სარკინიგზო და საავტ. გზების დიდი კვანძი. ხორცმაცივარ-სასაკლაო, საფქვავი, ტყავ-ფეხსაცმლის, ხის დასამუშ., საფეიქრო მრეწველობა. კვებრახოს ექსტრაქტის წარმოება. უნ-ტი. ს.-ჯ. დაარსდა 1573.


სანტა-ელია (Sant'Elia) ანტონიო (30. IV. 1888, კომო, — 10. X. 1916, დაიღუპა მონფალკონესთან ბრძოლაში), იტალიელი არქიტექტორი. დაამთავრა ნატიფი ხელოვნ. სკოლა ბოლონიაში (1912). განიცდიდა ო. *როდენისა* და აშშ-ის თანამედროვე არქიტ. გავლენას. 1914 წამოაყენა „მომავლის ქალაქის" ფანტასტიკური პროექტები. მისი წარმოდგენით ეს იყო ფოლადისა და ბეტონის მრავალსართულიანი ტერასული შენობების აგლომერაცია, ლიფტის კოშკურებით, სხვადასხვა დონეზე განლაგებული ქუჩებითა და გზის ასაქცევებით, მოძრავი კიბეებით. ახლოს იყო *ფუტურიზმთან* („ფუტურისტული არქიტექტურის მანიფესტი", 1914). ს.-ე-ს პროექტებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია XX ს. ქალაქთმშენებლობის ზოგ კონცეფციაზე.

სანტი... (<ფრანგ. cent, ლათ. centum— ასი), თავსართი იმ წილობითი ერთეულების სახელწოდებათა შესაქმნელად, რ-ებიც ოდენობით შეესაბამება ამოსავალი ერთეულის 1/100. შემოკლებული აღნიშვნებია: ქართ. *ს*, საერთაშ. — *c*. მაგ., 1 *სმ* (სანტიმეტრი) = 0,01 *მ*.

სანტიაგო (Santiago), ჩილეს რესპუბლიკის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია ანდების ძირში, საშუალოდ 540 *მ* სიმაღლეზე, მდ. მაპოჩოს ნაპირზე. ჰავა ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა. იანვ. საშ. ტემპ-რა 19,7°C, ივლ. 7,7°C. ნალექები 360 *მმ* წელიწადში. 1,7 მლნ. მცხ., დიდ სანტიაგოში — 4 მლნ-ზე მეტი (1982). დაარსა ესპ. კონკისტადორმა პედრო დე ვალდივიამ 1541. ჩილეს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1818) შემდეგ რესპ. დედაქალაქია. XX ს. დასაწყისიდან ჩილეს სამრეწვ. ცენტრის. 1970 ნოემბრიდან, როდესაც სახელმწიფო სათავეში ჩაუდგა სახ. ერთიანობის მთავრობა ს. ალიენდეს მეთაურობით, ს. მწვავე კლასობრივი ბრძოლის ცენტრი გახდა. 1973 წ. 11 სექტ. მოხდა რეაქციული სამხ. გადატრიალება; პრეზიდენტის სასახლის ლა მონედას აღების დროს ს. ალიენდე მოკლეს.



ა. სანტ-ელია. „მომავლის ქალაქი". ნახატი. 1914.




სანტიაგო. ა. პრატის ძეგლი. 1920-იანი წლები.

ს. სარკინიგზო და საავტ. გზების დიდი კვანძია. მასზე გადის პანამერ. გზატკეცილი. ელექტრიფიცირებული რკინიგზით უკავშირდება ჩილეს მთავარ ნავსადგურ ვალპარაისოს. 4 აეროპორტი. ს-ში თავმოყრილია ელექტროტექ., ლითონდასამუშ., მანქანათაშ., ქიმ., ფარმაცევტული, რეზინის, მსუბუქი (მ. შ. საფეიქრო), კვების მრეწვ. დიდი საწარმოები.

XVI ს-იდან ს. შენდება რეგულარული გეგმის მიხედვით (განაშენიანებულია თითქმის ერთნაირი, შიგაეზოებიანი დაბალი და ფართო შენობებით). ქალაქის ცენტრშია სწორკუთხა მოედანი — პლასა დე არმასი ტაძრითა (1541—1619; დამთავრებულია 1780, არქიტ. ხ. ტოესკა ი რიჩი) და რატუშით (XVIII ს. II ნახ., არქიტექტორები ტოესკა ი რიჩი და მ. დე ბარა კემადა); კოლონ. პერიოდის სხვა ნაგებობა-




სანტიაგო. საერთო ხედი.



სანტიაგო-დე-კომპოსტელა. ტაძარი. დაახლ. 1060 — 1211. გადაკეთებულია XVII—XVIII სს. კოშკები— 1675—80.

თაგან აღსანიშნავია: სან-ფრანსისკოს ეკლესია (1618) და ზარაფხანა (ლა მონედა; მოგვიანებით პრეზიდენტის სასახლე; დაიწყო 1782, არქიტ. ტოესკა ი რიჩი). XIX ს. დასაწყისიდან ქალაქში შენდება ნეოგოტიკის, ნეოკლასიკის, „მოდერნის" სტილის შენობები. ქალაქის ცენტრში, აგრეთვე მის სამხრ.-დას-ით და დას-ით თანამედროვე 8—12-სართულიანი შენობებია.

ს-ში არის ჩილეს უნ-ტი, ჩილეს კათოლ. უნ-ტი, სახელმწ. ტექ. უნ-ტი, სამხ. სასწავლებელი, გამოყენებითი ხელოვნ. სკოლა, ეროვნ. კონსერვატორია, სამეცნ. დაწესებულებები: ჩილეს მეცნ. აკად., ენათმეცნ., საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისტ. აკადემიები; ჩილეს ანტარქტიდის შემსწავლელი ინ-ტი, ლათინურამერ. სოც.-ეკონ. დაგეგმვის ინ-ტი, ექსპერ. მედიცინის ინ-ტი და მრავალი სხვ.; 13 ბ-კა; მუზეუმები; თეატრები — „ტეატრო მუნისიპალი", „ოპერა" და სხვ.



სანტო-დომინგო. კოშკი ტორე დელ ომენახე. 1503—07.

სანტიაგო, სანტიაგო-დე-ლოს-კაბალიეროსი (Santiago de los Caballeros), ქალაქი დომინიკელთა რესპუბლიკის ჩრდ. ნაწილში, მდ. იაკე-დელ-ნორტეს ნაპირზე. სანტიაგოს პროვ. ადმ. ცენტრი. 242 ათ. მცხ. (1978). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. თამბაქოს ნაწარმის, ქიმიკალიების დამზადება. ყავის გადამუშავება. უნ-ტი. ს. დაარსდა XVI ს-ში.

სანტიაგო-დე-კომპოსტელა (Santiago de Compostela), ქალაქი ჩრდ.-დას. ესპანეთში, გალისიაში, ლა-კორუნიის პროვინციაში. 70,9 ათ. მცხ. (1970). ტყავის, სპირტსახდელი, საფქვავი, სელის გადასამუშ., ქაღალდის საწარმოები, რელიგ. საკულტო საგნების დამზადება. უნ-ტი (დაარსდა 1525). მორწმუნეთა სალოცავი ადგილი. ტურიზმის ცენტრი. ქალაქის ცენტრის ქუჩებს გასდევს პორტიკები, რ-ებიც არქიტ. ძეგლებს ერთიან ანსამბლად აერთიანებენ. შენობათაგან აღსანიშნავია ესპ. რომანული ხუროთმოძღვრების ნიმუში — ტაძარი (დაახლ. 1060—1211; ნართექსში—„დიდების პორტიკი", 1168—88; XVII—XVIII სს-ში გადაკეთებულია ბაროკოს სტილით), სამეფო ჰოსპიტალი (1501—11, არქიტ. ე. დე ეგასი; გადაკეთებულია XVII ს-ში). არქეოლ. მუზეუმი, ხალიჩების მუზეუმი.

სანტიაგო-დე-კუბა (Santiago de Cuba), ქალაქი სამხრ.-აღმ. კუბაში. სანტიაგო-დე-კუბის პროვ. ადმ. ცენტრი. 345,3 ათ. მცხ. (1981). ქვეყნის მეორე (პავანის შემდეგ) სამრეწვ. ცენტრი და საზღვ. ნავსადგური. კვების, ცემენტის, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ქიმ. მრეწველობა. ნავთობგადამუშავება, ლითონდამუშავება, გემთმშენებლობა. გააქვთ შაქარი, თამბაქო, რომი, ყავა. ქალაქის მახლობლად იღებენ სპილენძის მადანს. უნ-ტი. ს.-დ.-კ. დაარსდა 1514.

სანტიაგო-დელ-ესტერო (Santiago del Estero), ქალაქი ჩრდ.-დას. არგენტინაში, მდ. რიო-დულსეს ნაპირზე. სანტიაგო-დელ-ესტეროს პროვ. ადმ. ცენტრი. 105 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. ხეტყისა და ხის დასამუშ. მრეწვ., კვების, ფეიქრო, ტყავის საწარმოები. რ-ნში — საძოვრული მეცხოველეობა, ბამბის, მარცვლეულის ნათესები; კვებრახოს დამუშავება. ს.-დ.-ე. დაარსდა 1553.

სანტილიანა (Santillana) ინიიგო ლოპეს დე მენდოსა (19.VIII. 1398, კარიონდე-ლოს-კონდესი, — 25. III. 1458, გვადალახარა), მარკიზ დე, ესპანელი პოეტი. ავტორია პირველი ესპ. პოეტიკისა „წინასიტყვაობა და მიძღვნა..." (1449, გამოქვეყნდა 1482), დიდაქტ. თხზულებისა „ანდაზები დიდებული განათლებისა და სასარგებლო შესწავლისათვის" (1437, გამოქვეყნდა 1490) და სხვ. ესპ. პოეზიაში შეიტანა იტალ. სონეტის ფორმა. წერდა ალეგორიულ პოემებსაც.

სანტიმენტალიზმი (ფრანგ. sentimentalisme < sentiment — გრძნობა), მიმართულება XVIII ს. ლიტ-რასა და ხელოვნებაში. ჩაისახა ინგლისში, 20-იან წლებში. ტერმ. „ს." ლიტ-რაში დამკვიდრდა ლ. სტერნის წიგნის „სანტიმენტალური მოგზაურობის" გამოსვლის შემდეგ (1768). სანტიმენტალისტებისათვის დამახასიათებელი იყო გრძნობის კულტი, ემოციური მხარის ხაზგასმა. ს. თითქმის ყველა ჟანრში დამკვიდრდა: პოეზიაში, პროზაში, დრამაში. სანტიმენტალური რომანი ძირითადად წერილების ან დღიურების სახით იწერებოდა. ინგლ., ფრანგმა, გურმ. სანტიმენტალისტებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინეს ევრ. რომანის განვითარებაზე (ლ. სტერნი, ო. გოლდსმითი, ს. რიჩარდსონი, ჟ. ჟ. რუსო, ი. ვ. გოეთე, ფ. გ. კლოპშტოკი, ჟ. პ. რიხტერი). რუსეთში ს. მოგვიანებით განვითარდა. ნ. კარამზინმა მოთხრობაში „საწყალი ლიზა", „იულია" პირველად სცადა გაეანალიზებინა ადამიანის სულში მომხდარი ფსიქოლ. ძვრები. რუს. ს-მა გავლენა მოახდინა ვ. ჟუკოვსკის, კ. ბატიუშკოვის, ა. პუშკინისა და სხვათა შემოქმედებაზე.

საქართველოში ს-ის ტენდენციები XIX ს. 60-იანი წლებიდან იგრძნობა. ქართ. პოეზიასა და პროზაში გაჩნდა ს-თვის დამახასიათებელი გადაჭარბებულად მგრძნობიარე დღიურები, მოგზაურობის ჩანაწერები, ელეგიური სტილი, მელოდრამატული განწყობილებანი. სანტიმენტალურ ხასიათის ნაწარმოებებად მიჩნეულია დავით ბატონიშვილის „ახალი შიხი", გ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის", გ. რჩეულიშვილის „ნაობარი სოფელი", „მწყემსის სიყვარული" და სხვ. ს-ის ტენდენციების დამკვიდრებაში დიდი როლი ითამაშა სანტიმენტალური ნაწარმოებების თარგმნამ. ქართ. ლიტ-რაში ამ ტენდენციებს ამჟღავნებდნენ ს. მესხიშვილი, ი. კერესელიძე, დ. ციციშვილი, რ. ერისთავი, ე. ერისთავი და სხვ.

საქართველოში ს. პასიური ლიტ. პროცესი, რეალიზმის განვითარების ერთ-ერთი წინა საფეხური იყო, ამიტომ ხშირ შემთხვევაში მას მიმბაძველობითი ხასიათი ჰქონდა. *ნ. უბილავა.*

სასცენო ხელოვნებაში ს. ვითარდებოდა სამეფო კარის კლასიცისტური თეატრის პირობითობასთან ბრძოლაში. გრძნობის კულტმა, ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი გაზრდილმა ინტერესმა, რ-იც დამახასიათებელი იყო კლასიციზმისათვის, განაპირობა კლასიცისტურ სტატიკურობასა და ლექსის პირობით-დეკლამაციურ კითხვაზე უარის თქმა. ახ. რეპერტუარმა მახვიობისაგან მოითხოვა პერსონაჟთა ყოფითი ქცევის დამუშავება, სახის განვითარების ჩვენება, ცოცხალი, ამაღელვებელი მეტყველების ინტონაციათა გადმოცემა. ცვლილებები მოხდა სცენტაკლების მხატვრულად გაფორმებაშიც. ყველაფერი ეს აისახა XVIII ს. გამოჩენილ მსახიობთა შემოქმედებაში (დ. გარიკი ინგლისში, ფ. შრეღერი და ი. ბროკმანი გერმანიაში). ს-ის გავლენა რუს. თეატრში ა. კარატიგინას, ი. შუმერინის, ვ. პომერანცევის სცენურ თამაშში გამოვლინდა.

სანტიმეტრი (*სანტი...* და *...მეტრი*), სიგრძის ძირითადი ერთეული ურთეულთა CGS სისტემაში; ტოლია 0,01 *მ*-ისა. ქართ. აღნიშვნაა *სმ*, საერთაშ. — cm.

სანტიმი (ფრანგ. centime < ლათ. centesimus — მეასედი), 1. ფრანკული ხურდა ფული, რ-იც უდრის ფრანკის 1/100. 2. წვრილი მონეტა და საანგარიშო ეროვნული საფრ. დეპარტამენტების, და მისი იმ ყოფილი კოლონიებისა, რებმაც, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 3. ბელგიის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის ხურდა ფული.

სანტო-დომინგო (Santo Domingo), დომინიკელთა რესპუბლიკის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია კ. ჰაიტის სამხრ.-აღმ. ნაწილში, კარიბის ზღვის ნაპირზე. ჰავა ტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპერა 24°, 1°C. ივლ. 27°C. ნალექები 1400 *მმ* წელიწადში. 1 მლნ-ზე მეტი მცხ. (1981). დაარსა ბარტოლომე კოლუმბმა (ქრისტეფორე *კოლუმბის* ძმა) 1496 ახალი ისაბელის სახელწოდებით მდ. ოსამის აღმ. ნაპირზე (მოგვიანებით დაერქვა ს.-დ.). 1844-იდან დომინიკელთა რესპ. დედაქალაქია. 1916—24 ოკუპირებული იყო აშშ-ის საზღვ. ქვეითი ჯარების მიერ. 1936—51 ეწოდებოდა სიუდად-ტრუხილიო (დიქტატორ რ. ლ. ტრუხილიოს გვარის მიხედვით). 1965 მაისში ქალაქი კონსტ. რეჟიმის მომხრე რევ. ჯარების ხელში იყო.

ს.-დ. საავტ. გზების კვანძი და ქვეყნის მთავარი ნავსადგურია. კვების, საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ცემენტის, ხე-ტყის სახერხი და ავეჯის მძრეწვ. საწარმოები. ტურიზმის ცენტრი. XVI ს. I ნახევრიდან შენდება რეგულარული გეგმით. არქიტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია: კოშკი ტორე დელ ომენახე (1503—07), კასა დელ ალმირანტეს ციხე-სარბაზი (1510—14), ტაძარი, სადაც ქ. კოლუმბის აკლდამაა (XVI ს. I ნახ.) და სხვ.. 11543—1702 აშენდა ქალაქის კედლები. 1930 გრიგალის შემდეგ თითქმის მთლიანად დანგრეული ქალაქი განაშენიანდა რკინაბეტონის შენობებით. XX ს. ნაგებობათაგან აღსანიშნავია: თეატრი (1913), სასტუმრო „იარაგუა" (1943) და სხვ. ქალაქში არის 2 უნ-ტი, ისტ. აკადემია, მუზეუმები.

სან-ტომე (São Tomé), სან-ტომესა და პრინსიპის დედაქალაქი. გაშენებულია კ. სან-ტომეს ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ატლანტის ოკ. გვინეის ყურის ნაპირზე. 24 ათ. მცხ. (1981). გააქვთ კაკაო, ყავა, პალმისს ზეთი, ქოქოსის კაკალი.

სან-ტომე და პრინსიპი, სან-ტომესა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა (Repùblica Democratica de São Tomé e Prìncipe). სახელმწიფო ამავე სახელწოდების კ.-ებზე გვინეის ყურეში, ცენტრ. აფრ. დას. სანაპიროსთან. ფართ. 964 *კმ*². მოსახლ. დაახლ. 100 ათ. კაცი (1981). მოსახლ. შედგება ძირითადად აფრიკელების შთამომავლებისაგან, რ-ებიც XV—XVI სს-ში ანგოლიდან, მოზამბიკიდან და მწვანეკონცხის კ.-ებიდან პლანტაციებში სამუშაოდ გაიყვანეს ევროპელებმა. რელიგია — კათოლიკობა. დედაქალაქი — სან-ტომეე (24 ათ. მცხ., 1981). ოფიც. ენა — პორტუგალიური. ეროვნ. დღესასწაულია 12 ივლ. — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1975). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია დობრა. 1 დობრა=0,02 აშშ-ის დოლარს (1982). ადმინისტრაციულად იყოფა 7 ოლქად.

ს.-ტ. და პ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1982 კონსტიტუცია. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ეროვნ. სახ. კრება (ერთპალატიანი პარლამენტი, რ-საც ირჩევენ 5 წლის ვადით). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (ეროვნ. სახ. კრება ირჩევს 5 წლის ვადით). ის არაის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს

მთავრობა პრეზიდენტის მეთაურობით. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფეიერადი ჩანართი *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

კ-ებში სან-ტომე და პრინსიპი აგებულია უმთავრესად ბაზალტით. შემორჩენილია ვულკ. კონუსები (სიმაღლე 2024 *მ*-მდე, კ. სან-ტომე), კრატერებში პატარა ტბებია. კ. პრინსიპიზე ჰავა ეკვატორულია, მუდმივნოტიო, კ. სან-ტომეზე — ეკვატორულიდან ტროპიკულში გარდამავალი. საშ. თვიური ტემპ-რები 23-იდან 27°C-მდეა. ნალექები 1000-იდან 2000—3000 *მმ*-მდე წელიწ-ადში. ბუნებრივი მცენარეულობაა ხშირი ნოტიო ეკვატორული ტყეები, მდების შესართავებთან — მანგროვიანი.

კუნძულები პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს XV ს-ში და თავიანთ სამფლობელოდ გამოაცხადეს. შაქრის პლანტაციებში სამუშაოდ აფრიკიდან დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მონები. XVI—XVII სს-ში კ. სან-ტომე იყო მონათვაჭრობის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ბაზა აფრიკას, ევსტინდოეთსა და ბრაზილიას შორის. XVI ს.. დამდეგიდან დაიწყო ს.-ტ. და პ-ის ხალხების ბრძოლა პორტუგ. კოლონიზატორების წინააღმდეგ (აჯანყება სან-ტომეზე 1517 და სხვ.) . XX ს. ერთ-ერთი უდიდესი გამოსვლა იყო 1953 აჯანყება. განმათ. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა 1960 შექმნილი ს.-ტ. და პ-ის განვითარების კომიტეტი, რ-იც 1972 გარდაიქმნა სან-ტომე და პრინსიპის კ-ების განმათ. მოძრაობად (სტპგმ—მმართველი და ერთადერთი პარტია ქვეყანაში). 1974 ნოემბ. მოძრაობის დელეგაციამ და პორტუგ. მთავრობის წარმომადგენლებმა (რ-ებიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ 1974 რევ. გადატრიალების შემდეგ) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ს.-ტ. და პ-თვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. 1974 დეკ. შეიქმნა გარდამავალი მთავრობა სტპგმ-ისა და პორტუგ. წარმომადგენელთა მონაწილეობით. 1975 წ. 12 ივლ. ეროვნ. კრებამ ს.-ტ. და პ. დამოუკიდებელ დემოკრ. რესპუბლიკად გამოაცხადა. 1982 დეკ-შდე შედგა სტპგმ-ის III საგანგებო ყრილობა, რ-მაც დაადასტურა ს.-ტ. და პ-ის სტრატეგიული მიზანი—სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა. ს.- ტ. და პ. ატარებს მიუმხრობლობის კურსს.

ქვეყნის ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა.. მუშაობება ტერიტ. დაახლ. 1/3. მოჰყავთ (ათ. ტ, 1980): კაკაო —7, ბანანი 4,1., ყავა, სიმინდი, ფეტვი, მანიოკა, ჩინ. კარტოფილი. აგროვებენ ზეთის პალმის, ქოქოსის პალმისა და პურის ხის ნაყოფს. მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული. 1980 ს.-ტ. და პ-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 3, ცხვარი — 2, თხა — 4. იჭერენ თევზს (1,8 ათ. ტ, 1980), კუსა და რვაფეხას. ამუშავებენ სას.-სამ. ნედლეულს. არის საფქვავი, საპნის, ზეთსახდელი, საშენ მასალათა და სხვა საწარმოები. 1981 ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 4270 *კვტ. სთ.* კ. სან-ტომეზე არის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. საავტ. გზების სიგრძეა 2837 *კმ*, აქედან 199 *კმ* მოასფალტებულია. 1980 ექსპორტმა შეადგინა 931,2 მლნ. დობრა, იმპორტმა — 538,3 მლნ. გააქვთ კაკაო (ექსპორტის ღირებულების დაახლ. 90%), კოპრი, ყავა, პალმის კაკლის გული და სხვ.; შეაქვთ სურსათი (იმპორტის ღირებულების 40%), ავტომობილები, ფართო მოხმარების საქონელი და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: პორტუგალია, ნიდერლანდი, ანგოლა, გფრ, აშშ.

მოსახლ. 85%-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. გამოცხადებულია სავალდებულო სწავლება 6—12 წლის ასაკის ბავშვებისათვის. დაწყ. სკოლა 4-წლიანი, საშ. სკოლაა 5-წლიანი (2+3). სწავლება პორტუგ. ენაზეა. 1983 ს.-ტ. და პ-ის 44 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 9 ათ-ზე მეტი მოსწავლე, 2 საშ. სკოლაში — 1500-მდე. პროფ. კადრებს ამზადებს დაწყ. სკოლა ან არასრული საშ. სკოლა. 4 პროფსკოლაში სწავლობდა 120-მდე მოსწავლე. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს პედ. სასწავლებელი არასრული საშ. სკოლის ბაზაზე.

სანტონინი, ჭიების საწინააღმდეგო საშუალებათა ჯგუფის სამკურნალო პრეპარატი. ს-ის ტაბლეტებსა და ფხვნილებს იყენებენ *ასკარიდოზის* სამკურნალოდ.

სანტოს-დიუმონი, სანტუს-დიუმონი (Santos-Dumont) ალბერტო (20. VII. 1873, პალმირა, მინას-ჟერაისის შტატი, ბრაზილია,—24. VII. 1932, გუარუჯა, სან-პაულუს შტ., ბრაზილია), ფრანგი აერონავსანი და ავიატორი. 1896-იდან მუშაობდა საფრანგეთში. 1898—1903 ააგო და გამოცადა მცირე ზომის (1250 *მ*³-მდე) 12 დირიჟაბლი. 1901 თავისი დირიჟაბლით შემოუფრინა ეიფელის კოშკს. შემდგომში აპროექტებდა და აგებდა თვითმფრინავებს (ლ. *ბლერიოსა* და ა. *ფარმანთან* ერთად). 1906—09 აააო თავისი 8 თვითმფრინავი, რ-თაგან 4 ფრინავდა. მისი ფრენა 1906წ.23 ოქტ. 60 *მ* მანძილზე მიჩნეულია ევროპაში პირველ გაფრენად.

სანტუ-ანდრე (Santo André), ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, სან-პაულუს სამრეწვ. გარეუბანი. 634 ათ. მცხ. (1980). რკინიგზის სადგური. შავი მეტალურგია, ქიმ., მანქანათაშ. მრეწველობა. დაარსდა XVI ს-ში.

სანტუსი (Santos). ქალაქი სამხრ.-აღმ. ბრაზილიაში, სან-პაულუს შტატში. 453 ათ. მცხ. (1980). დიდი საზღვ. ნავსადგური; ტვირთბრუნვა საშუალოდ 13 მლნ. ტ წელიწადში. გააქვთ ყავა (ბრაზ. ყავის ექსპორტის დაახლ. 3/4), ბანანი, ბამბა, ანანასი და სხვ. სარკინიგზო კვანძი. კვების, ლითონდასამუშ. მრეწვ., სასუქების წარმოება. დაარსდა XVI ს. I ნახევარში.

სანტუში, დუშ სანტუში (dos Santos) ჟოზე ედუარდუ (დ. 1942, ქ. ლუანდა), ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის (მპლა) — შრომის პარტიის თავ-რე, ანგოლის სახ. რესპ. პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი 1979 სექტ-იდან. დაიბადა მუშის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო სსრკ-ში. ინჟინერ-მენავთობე. 1961-იდან მპლა-ს წევრი, 1974-იდან მპლა-ს ცკ-ისა და ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, 1977-იდან 1979 სექტ-მდე მპლა-ს—შრომის პარტიის ცკ-ის მდივანი ეკონ. განვითარებისა და დაგეგმვის საკითხებში. 1961—75 საპასუხისმგებლო პოსტები ეკავა ანგოლის განთავისუფლების სახ. შეიარაღებულ ძალებში. 1975—78 ანგოლის სახ. რესპ. საგარეო საქმეთა მინისტრი, 1978—79 სექტ. დაგეგმვის მინისტრი და ეროვნ. დაგეგმო კომისიის თავ-რე.


სანუ, სამო, სამოგო, ნინისი, ზემო ვოლტის რესპუბლიკისა და მალის რესპუბლიკის საზღვრის ორივე მხარეზე მცხოვრები ხალხი. რაოდ. ზემო ვოლტაში დაახლ. 290 ათ. კაცი, მალიში — 40 ათ. კაცზე მეტი (1978, შეფასება). ენა განეკუთვნება მანდე ენათა ოჯახის სამხრ. ჯგუფს. უმრავლესობა ინარჩუნებს ტომობრივ რელიგიურ რწმენებს, ნაწილი მუსლიმანია. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

სან-ფრანსისკუ (São Francisco), მდინარე ბრაზილიაში, ბრაზილიის ზეგანზე. სიგრძე დაახლ. 2800 *კმ*. აუზის ფართ. დაახლ. 600 ათ. *კმ*². სათავე აქვს სერა-და-კანასტრის მთებში. ზემოთში მთის მდინარეა, შემდეგ მიედინება ოკეანის წაპირის გასწვრივ განიერ ხეობაში, ქ. კაბრობოსთან უხვევს აღმ.-სამხრ.-აღმ-კენ, გაჭრილ ზეგნის სანაპირო ბექს და აჩენს ჭორომებსა და ჩანჩქერებს. ერთვის ატლანტის ოკეანეს. წყლის საშ. ხარჯი ქ. ბართან 3000 *მ*³/*წმ*. ნაწილობრივ სანაოსნოა წვიმიან პერიოდში. ქ. პირაპორის ზემოთ არის დიდი წყალსაცავი და ჰესი.

სან-ფრანსისკო (San Francisco), ქალაქი აშშ-ის წყნაროკეანურ სანაპიროზე, კალიფორნიის შტატში. ქვეყნის მნიშვნელოვანი სატრანსპ., სავაჭრო, სამრეწვ., საფინანსო და კულტ. ცენტრი. გაშენებულია ვიწრო, ბორცვიან ნ.-კ-ზე, დას-ით აკრავს წყნარი ოკ., აღმ-ით და ჩრდ-ით—სან-ფრანცისკოს ყურე, რ-იც წყნარ ოკეანეს ოქროს ჭიშკრის სრუტით უკავშირდება. 674 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 3,2 მლნ. (1980).

1776 ახლანდ. ს.-ფ-ს ადგილას ესპანელებმა დააარსეს გამაგრებული სავაჭრო დასახლება, რ-საც მოგვიანებით ირლანდიელები ეწოდა. ამერ.-ესპ. ომის (1846—48) დროს ირლანდიელებმა ამერიკელებმა ჩაიგდეს ხელში, 1847 ს.-ფ. უწოდეს. ქალაქის აყვავებას ხელი შეუწყო კალიფორნიაში „ოქროს ციებ-ცხელებამ", რ-იც XIX ს. შუა წლებში დაიწყო. 1945 ს.-ფ-ს საერთაშ. კონფერენციაზე შეიქმნა გაერო. ს.-ფ-შია აშშ-ის სამხ.-სანაპირო ბაზა და სამხ.-საზღვ. გემთსარემონტო ვერფები, გარეუბან ალამედაში — საზღვაო ავიაციის ავიაბაზა. ს.-ფ. (ოკლენდსა და სხვა გარეუბნებთან ერთად) აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია (ტვირთბრუნვა დაახლ. 32 მლნ. ტ წელიწადში). ტრანსკონტინენტური სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი, 3 აეროპორტი: ს.-ფ-ში (საერთაშ. მნიშვნელობის), ოკლენდსა და სან-ხოსეში. განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება (გემთმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონული მოწყობილობის და სხვ. წარმოება), კვების, ნავთობგადასამუშ., ქიმ., პოლიგრ. მრეწვ., შავი მეტალურგია. სამრეწვ. საწარმოთა დიდი ნაწილი განლაგებულია გარეუბნებში. ს.-ფ-ში არის აშშ-ის 5 დიდი ბანკის, მ. შ. *ამერიკის ბანკის*, აგრეთვე ფირმების „სტენდარდ ოილ ოვ კალიფორნიას" (ნავთობქიმ. მრეწვ.), „კაიზერ ინდასტრიზის" (მეტალურგია, ქიმია; ოკლენდი) და სხვ. გამგეობები.

XIX ს-იდან ქალაქი შენდება რეგულარული გეგმის მიხედვით. 1906 მიწისძვრის შემდეგ ქალაქი თითქმის ხელმეორედ აშენდა. ესპ. კოლონიზაციის დროინდელ ნაგებობათაგან შემორჩენილია „მისია დოლორესის" (1782—91) მონასტრის ეკლესია. განაშენიანება ძირითადად მცირესართულიანია. მჭიდროდ დასახლ. ეროვნ. კვარტალები („ჩინური ქალაქი", „ლათინური კვარტალი") შეხამებულია თანა-





სან-ტომე და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

მედროვე ცათამბჯენებთან. ნაგებობათაგან აღსანიშნავია: საბორნე ვაგზალი (1896), საზ. ტენტრის შენობა (1910—20), მაიმონიდის პოსპიტალი (1946, არქიტ. ე. მენდელზონი), უ. მორისის მაღაზია (1948, არქიტ. ფ. ლ. რაიტი), „ამერიკის ბანკის" და სხვა ცათამბჯენები. ს. ფ-შია ცნობილი საინჟინრო ნაგებობანი — დაკიდებული ხიდები: ორი სექციისაგან შემდგარი სან-ფრანცისკო-ოკლენდის ხიდი სან-ფრანცისკოს ყურეზე (1936, სიგრძე დაახლ. 13 *კმ*) და ხიდი ოქროს ჭიშკრის სრუტეზე (1937, შუა მალის სიგრძე 1280 *მ*).

ს.-ფ-ში არის კალიფორნიის უნ-ტის სამედ. ცენტრი, კალიფორნიის საშტატო უნ-ტი, უნ-ტი „გოლდენ-გეიტი" („ოქროს ჭიშკარი"), კონსერვატორია და სხვა სასწ. დაწესებულებები, კალიფორნიის მეცნ. აკად., მედ. მეცნიერებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და სხვ. უდიდესი ბ-კები: სახელმწიფო ბ-კა, უნ-ტების ბ-კები, იურიდ. ბ-კა. უდიდესი მუზეუმები: ხელოვნ., აზიის ხელოვნებისა და კულტ. ცენტრი, კალიფორნიის საპატიო ლეგიონის სასახლე (ნატიფი ხელოვნ. მუზეუმი) და სხვ. თეატრები: რამდენიმე საოპერო, დრამ., იაპ. კულტ. ცენტრი, ჩინ. კულტ. ცენტრი, მუსიკის და ნატიფი ხელოვნ. ინ-ტი და სხვ.

სან-ფრანცისკოს კონფერენცია 1945, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) დამფუძნებელი 50 სახელმწიფოს კონფერენცია. მიმდინარეობდა 1945 წ. 25 აპრ-იდან 26 ივნ-მდე, მოიწვიეს სსრკ, აშშ, დიდი ბრიტ. და ჩინ. სახელით გაეროს წესდების საბოლოო ტექსტის მომზადების თაობაზე *ყირიმის კონფერენციის* (1945) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად. თავდაპირველად მონაწილეობდა გაერთიანებული ერების 1942 წ. 1 იანვ. დეკლარაციაზე ხელმომწერი 42 ქვეყნის მთავრობა, რ-ებმაც ომი გამოუცხადეს ფაშისტური ბლოკის ქვეყნებს. 30 აპრ. კონფერენციამ მოიწვია ბელორ. სსრ და უკრ. სსრ მთავრობები და, მიუხედავად სსრკ სასტიკი წინააღმდეგობისა, არგენტ. მთავრობა, რ-იც გაერთ. ერების მიმართ მტრულ პოლიტიკას ატარებდა და გერმანიას ომი მხოლოდ 1945 წ. 27 მარტს გამოუცხადა. შემდეგ მოიწვიეს დანიის მთავრობა. დას. სახელმწიფოების მტრული დამოკიდებულების გამო პოლ. მთავრობა არ მიიწვიეს კონფერენციაზე, მაგრამ სსრკ დაჟინებითი მოთხოვნით კონფერენციამ გადაწყვიტა დაეტოვებინა ადგილი გაეროს წესდებაში პოლონ. წარმომადგენელთა ხელმოსაწერად. გაეროს წესდების პროექტს საფუძვლად დაედო *დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე* (1944) შეთანხმებული წინადადებანი. ს.-ფ. კ-ს მონაწილეებმა ამ წინადადებათა განხილვის დროს მრავალი შესწორება და დამატება შეიტანეს. განსაკუთრებით მწვავე პაექრობა გაჩაღდა უშიშროების საბჭოსა და გენ. ასამბლეის უფლებების, კოლონიებისა და დამოკიდებული ტერიტორიების საკითხების, საერთაშ. მეურვეობის მიზნების, უშიშროების საბჭოში ხმის მიცემის პროცედურის გარშემო. სსრკ-ის მტკიცე პოზიციის შედეგად, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმიერობის პრინციპი მიიღეს. კონფერენციამ დააარსა გაეროს საერთაშორისო სასამართლო, რ-ის სტატუსი გაეროს წესდების ნაწილს წარმოადგენს. გაეროს წესდებაზე ხელმოწერის ცერემონია 1945 წ. 26 ივნ. შედგა. უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრისა და მის ხელმომწერ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ რატიფიცირების შემდეგ გაეროს წესდება ძალაში შევიდა 1945 წ. 24 ოქტ. და ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც გაერთ. ერების დღე.

ი. კობახიძე.

სანქტ-გალენი (Sankt Gallen), ქალაქი შვეიცარიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ბოდენზეეს სამხრ. ნაპირის მახლობლად. სანქტ-გალენის კანტონის ადმ. ცენტრი. 75,6 ათ. მკხ. (1980). საფეიქრო, სამკერვალო, ქიმ., კვების, პოლიგრ., ლითონდასამუშ. მრეწველობა. უმაღლესი ეკონ. სკოლა. მუზეუმები. ს.-ბ. დაარსებულია VII—VIII სს-ში დაარსებული მონასტრის ირგვლივ. IX—XI სს-ში კულტ. და სამხატვრო ცენტრი იყო. აღსანიშნავია: რომანული სანქტ-მაგნუსის ეკლესია (XI ს.), ბაროკოს სტილის მონასტრის ეკლესია (1755—67) ბიბლიოთეკითურთ (1758—67)—ორივე — არქიტ. პ. თუმბი და სხვ.

სანქტი-სპირიტუსი (Sancti Spiritus), ქალაქი კუბაში, სანქტი-სპირიტუსის პროვ. ადმ. ცენტრი. 72 ათ. მკხ. (1981). კვების (ხილსაკონსერვო, რძის, ხორცის, თამბაქოს), ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა; სახლთაშენი კომბინატი. დაარსდა 1514.

სანქტ-პელტენი (Sankt Pölten), ქალაქი ავსტრიაში, ქვემო ავსტრიის მხარეში, ალპების მთისწინეთში, მდ. ტრაიზენის ნაპირზე. 51,1 ათ. მკხ. (1981). მანქანათაშ., საფეიქრო, ავეჯის, ცელულოზა-ქაღალდის, კვების მრეწველობა.

სანქტ-პეტერბურგი, ლენინგრადის ოფიციალური სახელწოდება 1703 — 1914 წლებში (1914—24 პეტროგრადი); რუსეთის დედაქალაქი 1712-იდან, ხოლო რუსეთის იმპერიისა — 1721-იდან, იხ. აგრეთვე *ლენინგრადი*.


„სანქტ-პეტერბურგის მაგისტრატურა-ქალაქის რიგითი მუშათა საკრებულო", მთავრობის ლეგალური მუშათა ორგანიზაცია (1903—05), დააარსა მღვდელმა გ. გაპონმა ზუბატოვის ორგანიზაციების მსგავსად (იხ. *ზუბატოველობა*). მუშათა მასებში ნდობის მოსაპოვებლად მან მუშებისაგან შექმნა „ინიციატორების" ჯგუფი, რ-იც მასთან ერთად ხელმძღვანელობდა საზ-ბის საქმეებს. საზ-ბის ნამდვილი მიზანი იყო მონარქისტული, შოვინისტური და რელიგ. ცრუ რწმენის გაღვივება მუშათა წრეში. 1904 დასასრ. ქალაქში არსებობდა „საკრებულოს 11 ცენტრი" („განყოფილებები"), რ-ებიც აერთიანებდა 10 ათ-ზე მეტ კაცს. რევ. მოძრაობის გავლენის ზრდისა და ბოლშევიკების პროპაგანდისტული მოქმედების შედეგად „საკრებულოში" მომწიფდა კრიზისი (იხ. სტატია *გაპონოვშჩინა, ცხრა იანვარი 1905*). მეფის ჯარების მიერ მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა დახვრეტის შემდეგ, საზ-ბა დაითხოვეს.

„სანქტ-პეტერბურგის ხელოსანთა ასოციაცია", ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რუსეთში. დაარსდა 1885 პეტერბურგში პ. ტოჩისკის ხელმძღვანელობით. ჯგუფის მიზანი იყო ბრძოლა პროლეტარიატის მხარეზე. მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აგრეთვე. მუშათა წინამძღოლების მომზადება მასობრივი პროლეტ. მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის. „ასოციაციაში" აქტიურად მუშაობდნენ მოწინავე მუშები ე. კლიმანოვი (აჟანასიევი), ვ. შელგუნოვი, ვ. ბუიანოვი, ნ. ვასილიევი და სხვ. პეტერბ. „ასოციაციის" მსგავსი საწარმოებში ჩაფიქრებული მუშაობა წრეების დაარსება-კა, მუშათა შორის გავრცელება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" და სხვ. „ასოციაციის" წევრები აკრიტიკებდნენ ხალხოსნებს, განსაკუთრებით ინდივიდ. ტერორის ტაქტიკას, მაგრამ ამავე დროს უგულებელყოფდნენ სახ-ბის გარდაქმნაში ბურჟუაზიის დემოკრ. ეტაპს; მუშათა კლასს მიიჩნევდნენ გადამწყვეტ ძალად, ამასთან უარყოფდნენ ინტელიგენციის როლს რევოლ. მოძრაობაში. მათი იდეოლოგია შეიცავდა ტრედ-უნიონიზმის ელემენტებს. „ასოციაციის" მიერ ჭ-ნებსა და ფ-კებში შექმნილი მუშათა წრეების წევრებისაგან აღმოცენდნენ მუშა-რევოლუციონერთა კადრები, რ-ებმაც მისი განადგურების შემდეგ შეავსეს შემდგომ აღმოცენებული ს.-დ. ორგანიზაციები.

სანქცია (ლათ. sanctio — უმკაცრესი დადგენილება), ზემოქმედების ზომა, სოციალური და სამართლებრივი კონტროლის საშუალება ფორმალურ ს-ს იყენებს სახ. ორგანიზაცია ან სახელმწ. ორგანო არაფორმალური ს. გამოხატავს ჯგუფის წევრების, მეგობრების რეაქციას ამა თუ იმ საქციელზე.

1. ს-ს — სახელმწიფო იძულების ზომას, რ-საც უფარდებენ სამართალდამრღვევს, შეიძლება ჰქონდეს სამართალაღდგენითი ან სადამსჯელო ხასიათი. სამართალაღდგენითი ს. (ქონებრივი ს. გულისხმობს. ზარალის ანაზღაურებას, მას იყენებს სასამართლო, არბიტრაჟი და ზოგიერთი სხვა სახელმწ. ორგანო. სადამსჯელო ს-ებია: სისხლისსამართლებრივი ს. (მაგ., თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, გასწორებელი სამუშაოები). მისი გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. ადმინისტრაციული ს., რ-იც მიუთითებს ადმ. გადაცდომისათვის გამიზნულ სახდელზე (მაგ., ჯარიმა, ადმ. პატიმრობა). ადმ. სახდელს უფარდებენ მილიცია, სახ. კონტროლის ორგანოები, სახელმწ. ინსპექციები; დისციპლინური ს. (მაგ., გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან დათხოვნა). ამ სახდელის დანიშვნის უფლება აქვს ადმინისტრაციას და თანამდებობის პირს მათდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებული მუშაკის მიმართ. 2. სამართ. ნორმის შემადგენელი ნაწილი, რ-იც ითვალისწინებს სახელმწ. იძულების ზომას ამ ნორმის დარღვევისათვის. 3. ზემდგომი ინსტანციის მიერ რაიმეს დამტკიცება, ნებართვა (მაგ., პროკურორის, ს. დანაშაულში ეჭვმიტანილის მიმართ *აღკვეთის ღონისძიების* გამოყენების, *წბრძანის* შესახებ). 4. საერთაშ. სამართალში — სამხ., ეკონ. და პოლიტ. ხასიათის იძულების ზომა, რ-საც იყენებს შესაბამისი საერთაშ. ორგანიზაცია ან ცალკე სახელმწიფო საერთაშ.-სამართ. ნორმის ან შეთანხმების დარღვევის სახელმწიფოს მიმართ. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის ზიანის მიყენების დროს ს. ჩვეულებრივ, *რეპარაციის* ან *რესტიტუციის* ფორმით გამოიხატება.

განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით სამართ. ნორმის ს. მოიცავს შემდეგ სახეებს: აბსოლუტურად განსაზღვრული ს., რ-შიც ზუსტად არის განსაზღვრული ზემოქმედების ზომა (მაგ., თავისუფლების აღკვეთა 1 წლით); შეფარდებით-განსაზღვრული ს., როცა მითითებულია ფარგლები, რ-შიც ხდება ზემოქმედების კონკრეტუ



სან-ფრანცისკო. ძველი კვარტალი.

ლი ზომის შერჩევა. ასეთ ს-ში ამასთანავე შეიძლება გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ზომის მხოლოდ მინიმუმი (მაგ., თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 1 წლისა) ან მაქსიმუმი (მაგ., თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე), ან ერთბაშად მინიმუმიც და მაქსიმუმიც (მაგ., თავისუფლების აღკვეთა 2-იდან 5 წლამდე); განუსაზღვრელი ს., რ-შიც მითითებული არ არის ზემოქმედების ზომა და თანაც ასახულია ზოგადი დებულება სასჯელის შეფარდების აუცილებლობის შესახებ (მაგ., „დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით“). ასეთი ს. ზოგჯერ გათვალისწინებული იყო საბჭ. ხელისუფლების არსებობის პირველი წლების აქტებში. ამჟამად მას საბჭ. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. *გ. ტყეშელიაძე.*

სანჩარო, უელტეხილი აფხ. კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 2992 *მ*. აგებულია მეზოზოური ასაკის გრანიტოიდებით, ალპიტებითა და პეგმატიტებით. დამახასიათებელია სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტი. უელტეხილზე გადადის საცალფეხო გზა მდ. ბზიფის ხეობიდან (აფხ. ასსრ) მდ. დიდი ლაბის ხეობაში (ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო).

სანჩარო, სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში (ფსხუს სოფსაბჭო), აფხ. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1020 *მ*, სოხუმიდან 98 *კმ*. ა. ჟდანოვის სახ. აჩადარის კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა). რვაწლ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. ფსხუში (4 *კმ*). ჰესი.

სანჩესი (Sánchez) ფრანსისკო დელ როსარიო (9. III. 1817, სანტო-დომინგო, მექსიკა, — 4. VII. 1861, ქ. სან-ხუანის მახლობლად), დომინიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გენ. ხ. პ. დუარტესთან ერთად დააარსა პატრ. საზ-ბა „ტრინიტარია“ (1838). მოამზადა და სათავეში ჩაუდგა 1844 თებ. აჯანყებას, რ-მაც დამოუკიდებლობა მოუტანა დომინიკელთა რესპუბლიკას. ს-ს ეკავა უმაღლესი სამხ. და ადმ. თანამდებობები. აქტიურად გამოდიოდა ესპ. ინტერვენციის (1861 მარტი) წინააღმდეგ. სათავეში ედგა ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს. ესპანელებმა ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტეს.

სანჩეს კოელო (Sánches Coello) ალონსო (დაახლ. 1531, ბენიფაიო, ვალენსია, — 8. VIII. 1588, მადრიდი), ესპანელი ფერმწერი, წარმოშობით პორტუგალიელი. სწავლობდა ბრიუსელში; განიცადა *მანიერიზმის* გავლენა. 1557-იდან იყო ფილიპე II-ის კარის მხატვარი. ს. ჯ. ესპანური ეროვნული პორტრეტული სკოლის დამფუძნებელია (ინფანტა ისაბელ კლარა ეუბენიას პორტრეტი, 1579, პრადო, მადრიდი).

სანჩეს სანჩო (Sánchez Sancho) ლუის (დ. 1942), ნიკარაგუის მუშათა მოძრაობის მოღვაწე. ნიკარაგუელი კომუნისტების პარტიის — ნიკარაგუის სოციალ. პარტიის (ნსპ) — წევრი 1960-იდან. დაიბადა მუშის ოჯახში. პროფესიით მუშა-ფეიქარი. 1969-ის აგვ-დან ნსპ ცკ-ის პირველი მდივანი. არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული. აქვს შრომები ნიკარაგუის მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის საკითხებზე.

სანჩი, სოფელი ინდოეთში, მადჰია-პრადეშის შტატში. ს-ში შემონახულია ბუდისტური ძეგლების ჯგუფი: სტუპები, მონასტრები, ტაძრები. ყველაზე ცნობილია სტუპა № 1 (ძვ. წ. III ს., ორჯერ მეტად გაიზარდა ძვ. წ. II ს-ში); 4 კარი (ძვ. წ. I ს.), რ-თა გალავნები შემკულია ქანდაკებებით; აშოკას სვეტი (იწონის 40 ტ), ჩამოტანილია ჩუნარიდან. შედარებით გვიანდელ ხანას განეკუთვნება V—XII სს. ძეგლები — ტაძარი № 17 (V ს.) და სხვ. აქვეა მუზეუმი (დაარსდა 1919).

სან-ხოსე (San José), კოსტა-რიკის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი სამრეწვ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია 1165 *მ* სიმაღლეზე, პანამერ. გზატკეცილზე. ჰავა სუბეკვატორულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 18,5°C, ივლ. 20,8°C. ნალექები 1850 *მმ* წელიწადში. ხშირია მიწისძვრა. 243 ათ. მცხ. (1978). რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურებს პუნტარენასს (წყნარი ოკ.) და ლიმონს (კარიბის ზღვა). ქალაქიდან 24 *კმ*-ზეა აეროპორტი ელ-კოკო. კვების, საფეიქრო, ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები. სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად ყავა) ცენტრი. ს.-ხ. დააარსეს ესპ. დამპყრობლებმა 1737—38. XVIII ს. II ნახევრიდან თამბაქოს წარმოების ცენტრი ხდება. 1823-იდან კოსტა-რიკის რესპ. დედაქალაქია (ქ. კარტაგოს ნაცვლად, რ-ც თითქმის მთლიანად დაინგრა ვულკან ირასუს ამოფრქვევის დროს). ს.-ხ-ში არის კოსტა-რიკის უნ-ტი, ეროვნ. ბ-კა, ეროვნ. მუზეუმი, უნ-ტის სახვ. ხელოვნების ფაკ-ტის გალერეა, თეატრები.

სან-ხოზე (San José), ქალაქი აშშ-ის დას. ნაწილში, კალიფორნიის შტატში. 629 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 1,3 მლნ. (1980). მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი. სამრეწვ. ცენტრი. რადიოელექტრონული, სარაკეტო, სამხ. მრეწველობა. ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება, მეღვინეობა, მანქანათმშენებლობა. დაარსდა 1777.

სან-ხუანი (San Juan), ქალაქი, პუერტო-რიკოს ადმ. ცენტრი. გაშენებულია კ. პუერტო-რიკოს ჩრდ. სანაპიროზე, ნაწილობრივ — პატარა კუნძულზე (ძვ. ქალაქი). ჰავა ტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 24°C, ივლ. 28°C. ნალექები 1550 *მმ* წელიწადში. 432,9 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 1035 ათ. მცხ. (1980). დააარსა ესპ. კონკისტადორმა ხ. პონსე დე ლეონემ 1508 კ. სან-ხუან-ბაუტისტას ჩრდ. ნაწილში და კაპარა უწოდა. 1521 ქალაქი სხვა ადგილას გადაიტანეს და პუერტო-რიკო (ესპანურად — მდიდარი ნავსადგური) უწოდეს. შემდგომში ესპანელებმა კუნძულს პუერტო-რიკო დაარქვეს, ქალაქს კი — კუნძულის სახელი — სან-ხუანი. მოგვიანებით ს.-ხ. პუერტო-რიკოს ადმ. ცენტრი გახდა. იგი ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი იყო და ინგლ., ფრანგი და ჰოლანდ. მეკობრეები ხშირად ესხმოდნენ თავს. რამდენჯერმე დაანგრიეს, განსაკუთრებით 1595, 1625, 1703. ამერ.-ესპ. ომის დროს, 1898, ს.-ხ. ძლიერ დაიბომბა.

ს.-ხ. საავტ. გზების კვანძი და ქვეყნის მთავარი ნავსადგურია. აეროპორტი ისლა-ვერდე. კვების (უმთავრესად შაქრისა და თამბაქოს), საფეიქრო, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ნავთობგადასამუშ., ქიმ. მრეწვ. საწარმოები.

XVI ს. I ნახევარში განაშენიანებული ქალაქი დაქსელილია ვიწრო ქუჩებით. ნაგებობათაგან შემორჩენილია გვიანდ. ესპ. გოტიკის ხასიათის შენობები (სან-ხოსეს ეკლესია, 1529, ფასადი 1635—40; ტაძარი, 1540—87, ფასადი XVII ს.). XX ს-ში განაშენიანებულ რ-ნებში ფართო პროსპექტები, მრავალსართულიანი შენობები და პარკებია. თანამედროვე შენობათაგან აღსანიშნავია სასტუმრო „კარიბი-პილტონი“ (1947—49, არქიტექტორები ო. ლ. ტორო, მ. ფერერი), პუერტო-რიკოს უნ-ტი (50-იანი წლები, არქიტექტორები ხ. ბენიტესი, გ. კლუმბი და სხვ.).

ს.-ხ-ში არის პუერტო-რიკოს უნ-ტი, ესპ. ენის აკადემია, პუერტო-რიკოს კულტ. ინ-ტი, პუერტო-რიკოს უნ-ტის მთავარი ბ-კა, 7 მუზეუმი (წიგნის სახლი, ეროვნ. გვარდიის სამხ. მუზეუმი, ნატიფი ხელოვნ., სამხ.-საზღვ.-ისტ., კაპარის ნახატრევების ისტ. მუზეუმი და სხვ.); 6 თეატრი.

სან-ხუანი (San Juan), ქალაქი დას. არგენტინაში, მდ. სან-ხუანის ნაპირზე. სან-ხუანის პროვ. ადმ. ცენტრი. 218 ათ. მცხ. (1975). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. მეღვინეობისა და მეღვინეობის დიდი რ-ნის სავაჭრო ცენტრი. კვების, ცემენტის მრეწველობა. დაარსდა 1562.

სანჯაკი (თურქ. sancak; ძირითადი მნიშვნელობა — დროშა, ალამი), ადმ.-ტერიტ. ერთეული, ოსმალეთში.

საოლიშარიო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ნოსირის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის ხეობაში. ზ. დ. 30 *მ*, ცხაკაიადან 5 *კმ*. ნოსირის დაფნის საბჭ. მეურნეობა. ნოსირის სასელექციო კვლევითი სადგური. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ნოსირში (1,5 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი, აფთიაქი, ფოსტა.

საოლქო საბჭო, იხ. სტ. *საბალბო დეპუტატების საბჭოები.*



ა. სანჩეს კოელო. ინფანტა ისაბელ კლარა ეუბენიას პორტრეტი. 1579. პრადო. მადრიდი.

საოლქო სასამართლო ს ს რ კ-ში, სასამართლო, რ-იც პირველი, საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სახით მოქმედებს ოლქის ტერიტორიაზე. ს. ს-ს ირჩევს ოლქის სახ. დეპუტატთა საბჭო 5 წლის ვადით; მასში შედიან თავ-რე, მისი მოადგილეები, სასამართლოს წევრები და სახ. მსაჯულები. ს. ს-ს აქვს სამოქალაქო და სისხლის სამართ. საქმეთა სასამართლო კოლეგიები და პრეზიდიუმი. ს. ს. პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით განიხილავს რთულ სამოქალაქო და სისხლის სამართ. საქმეებს, რ-ებისთვისაც საკასაციო ინსტანციაა მოკავშირე რესპ. უმაღლესი სასამართლო. ოლქის სახ. სასამართლოების მიმართ ს. ს. მეორე (საკასაციო) ინსტანციაა. პირველ ინსტანციაში საქმეს განიხილავენ თავ-რე და 2 სახ. მსაჯული, მეორეში — ს. ს-ს 3 წევრი. ს. ს-ს პრეზიდიუმი საქმეებს განიხილავს სასამართლო ზედამხედველობის წესით (იხ. აგრეთვე *საზედამხედველო წარმოება*).

საოკეან ოკვდედებათა თეატრი, კონტინენტის ტერიტორიის ნაწილი (ოკეანის სანაპირო წყლებით, შიგა ზღვებითა და საპაერო სივრცით), ან ერთი ოკეანის აკვატორია (კ-ების, მოსაზღვრე ზღვების, ხმელეთის სანაპირო ზოლისა და საჰაერო სივრცის ჩათვლით), რ-ის ფარგლებში შესაძლოა გაიშალოს, ან უკვე მიმდინარეობს საომარი მოქმედება. შეიცავს რამდენიმე სტრატეგიულ მიმართულებასა და რ-ნს (ოკეანის ზონასა და ზღვის რ-ნს).

ს. მ. ო. განისაზღვრება სახელმწიფოთა სამხ.-პოლიტ. ხელმძღვანელობის მიერ სტრატეგიული ამოცანების, პოლიტ., ეკონ., გეოგრ. და საკუთრივ სამხ. ფაქტორების გათვალისწინებით. ს. მ. ო-ის საზღვრებში შედის საკუთარი და მტრის ქვეყნის ტერიტორია. სახმელეთო ს. მ. ო-ების სივრცე მეორე მსოფლიო ომის (1939—45) დროს ფრონტის ხაზზე 300—600 *კმ*-ს აღწევდა, სიღრმეში — 800—1000 *კმ* და მეტსაც. ს. მ. ო-ებს შეისწავლის სამხ. გეოგრაფია.

საოპერაციო ბლოკი, სამკურნალო დაწესებულებაში ქირურგიული დახმარებისათვის განკუთვნილ შენობათა ერთობლიობა; მოიცავს საოპერაციო დარბაზებს და დამხმარე სათავსებს. საოპერაციო დარბაზში არის სპეც. მოწყობილობა (საოპერაციო მაგიდა, აპარატურა ნარკოზისათვის, მაგიდები ხელსაწყოებისათვის, ელექტროგამწოვი და სხვ.); უფრო რთული აპარატურა იხმარება გულზე ოპერაციების ან ორგანოთა გადანერგვის დროს (ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატურა, ხელოვნური თირკმელი და სხვ.). დამხმარე სათავსებია საოპერაციოს წინა ოთახი (სადაც ოპერაციისათვის ემზადებიან ქირურგები და საოპერაციო დები), ხელსაწყოების სასტერილიზაციო ოთახი, ნაკერების დასადები და შესახვევი მასალის, საოპერაციო ტანსაცმლის, ქირურგ. ხელსაწყოების შესანახი ოთახები. ს. ბ. უნდა იყოს იზოლირებული, უნდა ჰქონდეს ხელოვნური და ბუნებრივი განათება, გათბობა, ვენტილაცია და სხვ.



საორბისი. აღმოსავლეთის ფასადის სარკმელი. 1152.



საოფლე ჯირკვლები: 1— ამფიბიების მრავალუჯრედიანი საოფლე ჯირკვლის სქემა; 2 — უმაღლესი ძუძუმწოვრების საოფლე ჯირკვლების სქემა.

საორბისი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ერთნავიანი ეკლესია გორის რ-ნში, სოფ. ფიცცისის მიდამოებში. ძეგლი ზუსტად არის დათარიღებული წარწერით. იგი აშენებულია 1152. ს-ის ეკლესია ჭურაღღებას იპყრობს ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმებით, რებიც სარკმლების ფართო საპირეებს ამკობს. როგორც წარწერებიდან ირკვევა, ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობდა სოფლის მოსახლეობა.

საორგანო პუნქტი, პედალი, ბანის რეგისტრში ხანგრძლივად დაყოვნებული ბგერა, რომლის ფონზედაც მაღალი ხმები თავისუფლად მოძრაობს და აღწევს მაღალ ტონალობებს. ს. პ-სა და დანარჩენ ხმებს შორის ჰარმონიული შეთანხმება აღდგება მის შეწყვეტასთან ერთად ან ოდნავ ადრე. ს. პ. ფართოდ გამოიყენება საორგანო მუსიკაში (აქედან სახელწოდებაც). ს. პ. დასაბამს ხალხ. საკრავიერი მუსიკიდან იღებს.

საორკესრო ძალალდი, იხ. *ფასიანი ქალალდი.*

საორთქლებელი, სითხის ასაორთქლებელი თბოგადამცემი აპარატი; იყენებენ იმ დისტილატის დასამზადებლად, რ-იც შეავსებს კონდენსატის დანაკარგს თბოელექტროსადგურებში. კონსტრუქციის მიხედვით იგი ორგვარია: ჰორიზ. ორთქლმილოვანი (გამზურებელი ორთქლი გადის მილების შიგნით, ხოლო ასაორთქლებელი წყალი გარსშემოედინება მილებს გარედან) და უფრო სრულყოფილი ვერტ. წყალმილოვანი (წყალი გადის მილების შიგნით). ს-ები არის 1-, 2- და მრავალსაფეხურიანი, სამაცივრო ტექნიკაში ს-ს იყენებენ მაცივარი აგენტის ასაორთქლებლად.

საორიენტაციო რეაქცია, ორგანიზმის უპირობო, მრავალკომპონენტიანი და არასპეციფიკური რეაქცია ნებისმიერ ახალ გამღიზიანებელზე, რ-იც ხორციელდება თავის ტვინის მეშვეობით. ს. რ-ის დანიშნულებაა გაზარდოს *ანალიზატორების* მიერ გარემოში არსებული ახ. გამღიზიანებლების გარჩევის უნარი. ს. რ-ის არასპეციფიკურობა გამოიხატება იმაში, რომ გამღიზიანებლის რაობის მიუხედავად, ორგანიზმი პასუხობს რთული, მრავალკომპონენტიანი რეაქციით — ხდება ყველა გრძნობის ორგანოსა და მთელი სხეულის სწრაფი მიმართვა გამღიზიანებლისაკენ. ამასთან ერთად ორგანიზმში შეიმჩნევა ვეგეტატიური ძვრებიც (გულის ცემისა და სუნთქვითი მოძრაობების სიხშირის, სისხლის არტერიული წნევისა და კანის ელექტრული წინაღობის ცვლილებები). ს. რ-ის უმნიშვნელოვანესი თვისებაა მიჩვევა — თანდათანობითი შესუსტება და გაქრობა გამღიზიანებლის მრავალჯერ გამეორების შემთხვევაში. ს. რ. სრულად ჩაქრება მაშინ, თუ გამღიზიანებელს არავითარი სასარგებლო ბიოლ. მნიშვნელობა არა აქვს. თუ ახ. გამღიზიანებელს თან ახლავს ორგანიზმისათვის სასარგებლო (საკვები, წყალი და ა. შ.) ან საზიანო თვისება, ხდება რეაქციის დიფერენცირება, ის მოდალურად სპეციფიკური ხდება და გამომუშავდება შესაბამისი *პირობითი რეფლექსი.* როგორც თვით ს. რ., ისე მისი მიჩვევა უდიდეს როლს თამაშობს ცვალებადი გარემოსადმი ორგანიზმის შეგუებაში.

ს. რ-ის სისტემ. შესწავლა დაიწყო ი. *პავლოვის* ლაბორატორიაში ნ. პოპოვმა (1921). მან დაადგინა, რომ ს. რ-ის ჩაქრობა ხორციელდება შინაგანი *შეკავების* გზით. ამასთან ერთად ს. რ-ის აღმოცენება და ჩაქრობა დიდად არის დამოკიდებული *ცენტრალური ნერვული სისტემის* ფუნქციურ მდგომარეობაზე. ცნობილია, რომ შიზოფრენიის ზოგიერთი სახის დროს ს. რ. პრაქტიკულად ჩაუქრობლად ხდება. ასევე ძნელდება მისი ჩაქრობა ახალშობილებში. უმაღლეს ძუძუმწოვრებში ს. რ-ის აღმოცენებაში მთავარი როლი ტვინის ბადისებრ ფორმაციასა და დიდი ნახევარსფეროების ქერქს ეკუთვნის, ხოლო მის ჩაქრობაში — *ლიმბური სისტემის* ზოგიერთ წარმონაქმნს, მ. შ. ჰიპოკამპს.

ლიტ.: Виноградова О. С., Ориентировочный рефлекс и его нейрофизиологические механизмы, М., 1961; Павлов И. П., Двадцатилетний опыт объективного изучения высшей нервной деятельности (поведения) животных, 6 изд., М.—Л., 1938; Руководство по физиологии. Физиология высшей нервной деятельности, ч. 1, М., 1970. *ა. ქორელი.*

საოჯახო ჯირკვლები, ადამიანისა და ძუძუმწოვარი ცხოველების კანის ორგანოები, რებიც წარმოქმნიან და გამოყოფენ ოფლს.

უმდაბლესი ძუძუმწოვრების ს. ჯ. მარტივი პარკებია, უმაღლესებისა და ადამიანისა კი — ვიწრო, დაკლაკნილი მილაკები, რ-თა სეკრეტორული ბოლო გორგლადაა დახვეული, ხოლო სადინარი კანის ზედაპირზე ან თმის ძირში იხსნება; ს. ჯ-ის კედელს ქმნის ერთშრიანი ექტოდერმული ეპითელიუმი და მის გარეთ მყოფი კუმშვადი მიოეპითელიუმური უჯრედების ფენა, რ-იც ხელს უწყობს ოფლის გამოყოფას. ს. ჯ-ის *სეკრეცია* მეროკრინულია, ზოგ ადგილზე კი — აპოკრინული. იგი ინერვირებულია სიმპათიკური ნერვული სისტემით. სხვადასხვა ცხოველის კანში ს. ჯ-ის რაოდენობა სხვადასხვანაირია, მათი განაწილებაც არათანაბარია. ზოგ ცხოველს ს. ჯ. სულაც არა აქვს (ზოგი მწერიჭამია, არასრულკბილიანი, ფარფლფეხიანი, ეშაპისნაირები, სირენები).

ს. ჯ-ის სახეცვლილებაა ზოგი სპეც. ჯირკვალი (ქუთუთოსი, ყურისა, რ-იც გამოყოფს გოგირდს და სხვ.), მათივე ევოლ. გარდაქმნის შედეგია სარძევე ჯირკვლებიც. ადამიანს 2—5 მლნ-მდე ს. ჯ. აქვს. განსაკუთრებით ბევრი ს. ჯ-ია ხელისა და ფეხის თითების რბილ ნაწილებში, ხელისგულზე, ფეხისგულზე, იღლიასა და საზარდულის მიდამოში. ს. ჯ. გამოყოფენ ოფლს და ამით არეგულირებენ სითბოს გაცემას, გამოაქვთ ორგანიზმიდან აზოტოვანი ცვლის პროდუქტები, მარილები, უმთავრესად ქლორნატრიუმი. ს. ჯ-ის რაოდენობა და სეკრეტორული ნაწილის სიგრძე კლებულობს ორგანიზმის დაბერებასთან ერთად. *ლ. ნათაძე. ვ. აბაშიძე.*

საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რ-საც იყენებენ ნიადაგის აოშვისათვის. ს. არის ორგვარი: დისკური და სახნისებიანი. დისკური ს. შედგება საყრდენთვლებიანი ჩარჩოსა და ცალკეული სექციებისაგან. თითოეულ მათგანს აქვს 8—10 სფერული დისკო. ს-ის მუშაობის დროს დისკოები ბრუნავს, აოშავს ნიადაგს და ნაწილობრივ აბრუნებს ბელტს. დისკოებზე დატვირთვისა და დამუშავების სიღრმის გასაზრდელად სექციაზე დამაგრებულია ბალასტის ყუთი. მინდვრის რელიეფთან უკეთ შესაგუებლად სექციები ჩარჩოს ძელზე სახსრულადაა დამაგრებული. სექციები აგრეგატის მოძრაობის მიმართ კუთხითაა (შეტევის კუთხე) განლაგებული. ს-ის გავლის შემდეგ მინდორზე წარმოიქმნება წვრილკოშტებიანი ფენა, რ-ზეც ბაზოების სიმაღლე 8 *სმ*-ს არ აღემატება, სარეველები კი მთლიანად მოჭრილია.

სახნისებიან ს-ს იყენებენ ფესვნაყარი სარეველებით (ღიჭა, ხვართქლა და სხვ.) დანაგვიანებულ მინდვრებზე ნაწვერალის ასაოშებლად და მოუთესავი ანეულის შრედაშრე დასამუშავებლად. ამგვარი ს. შეიძლება იყოს მისაბმელი და საკიდი. მისაბმელი ს. შედგება საყრდენთვლებიანი ჩარჩოსაგან, რ-ზეც დამაგრებულია დგარები, დგარებზე კი — ტრაპეციისებრი სახნისები, ფრთები და საველე ფიცრები.

საკიდი ს-ით ნიადაგის დამუშავების სიღრმეს ცვლიან საყრდენი თვლის სხვადასხვა სიმაღლეზე დაყენებით.

საოჯიო, ულელტეხილი ეკრისის ქედზე. სიმაღლე 2696 *მ.* აგებულია შუაიურული პორფირიტებით. კალთები ჭემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. აკავშირებს მდ. ხობისწყლის ხეობას მდ. თხეიშის (ენგურის აუზი) ხეობასთან.

საოჯახო სამართალი, საბჭ. სამართლის დარგი, რ-იც არეგულირებს პირად და ქონებრივ ურთიერთობებს მეულლეებს, შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის. მეულლეთა პირად უფლებებს განეკუთვნება ქორწინების რეგისტრაციისას გვარის არჩევის უფლება, უფლება შვილების აღზრდაზე მეულლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში და სხვ.

ს. ს. განასხვავებს მეულლეთა პირად (ინდივიდ.) და საერთო ქონებას და ითვალისწინებს ოჯახის წევრთა ურთიერთრჩენის მოვალეობას (საალიმენტო ვალდებულება).

ს. ს-ის ამოცანაა საბჭ. ოჯახის შემდგომი განმტკიცება, საოჯახო ურთიერთობის დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით საქორწინო კავშირზე, ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობაზე, სამშობლოს ერთგულვების, შრომასთან კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით ოჯახის მიერ შვილების აღზრდა, რაც ორგანულად შეხამებულია საზ. აღზრდასთან, შვილების მომზადება კომუნისტური საზ-ბის მშენებლობაში აქტ. მონაწილეობისათვის, დედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა, თითოეული ბავშვისათვის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა და სხვ.

ს. ს-ის სისტემა მოიცავს ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებს. ზოგად ნაწილში განისაზღვრება ს. ს-ის რეგულირების საგანი და მეთოდი, ს. ს-ის სუბიექტები და ობიექტები, ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობანი, საოჯახო ურთიერთობანი და სხვ. განსაკუთრებული ნაწილის ძირითადი ინ-ტებია ქორწინება, ოჯახი, მეულლეთა უფლება-მოვალეობანი, განქორწინება, შვილად აყვანა, მეურვეობა, მზრუნველობა და სხვ.

ს. ს-ის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა საოჯახო ურთიერთობაში, დედობის დაცვა და წახალისება, არასრულწლოვანთა კომუნისტური აღზრდა და მათი ინტერესების უზრუნველყოფა, ერთქორწინება, განქორწინების თავისუფლება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ და სხვ.

საოჯახო ურთიერთობათა რეგულირება ხდება სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებით (1968) და საქ. სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსით (1970).

ლიტ.: ჩიკვაშვილი შ., საალიმენტო ვალდებულება, თბ., 1976; ცისკვე, ქორწინება, ოჯახი, სამართალი, თბ., 1977; ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957. *შ. ჩიკვაშვილი.*

საპაიო ფონდი, იხ. *პაი.*

საპალნე, აქლემის, ცხენის, ვირის და სხვა საქონლის ასაკიდი ტვირთი; საწყაო და მასის ერთეული. ს-ით ზომავდნენ ღვინოს, აბრეშუმს, ბამბას, ფართალს, მარილს და სხვ. საქართველოში შემოვიდა XIII ს-ში. როგორც XVII—XVIII სს. მასალებიდან ჩანს, აქლემის ს. ყოფილა 224—294 *კგ*, ცხენისა საშუალოდ — 147 *კგ*, ვირისა — 65 *კგ*. ს-ის ნახევარს ცალი ერქვა, მეოთხედს — ცალბარი. ს-ის სახეობაა ხარვარი, რ-იც საქართველოში ირანიდან დამკვიდრდა. XVI—XVIII სს-ში ის 300—340 *კგ* შეადგენდა.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქარ. თული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს.), თბ., 1973. *გ. ჯაფარიძე.*

საპანაძე პლატონ ვასილის ძე [17. V (1. VI). 1906, ფოთი, — 22. II. 1978, თბილისი], სსრკ თევზის მრეწველობის მუშაკი, III რანგის გენ.-დირექტორი (1950), სკკპ წევრი 1932-იდან. ს. მუშაობ-

და გემოძშენებლობისა და სარემონტო ქ-ნის დირექტორად ქ. მურმანსკში (1939—49), ჩრდილოეთის თევზჭერის გაერთ. მთავარი სამმართველოს უფროსად (1949—60), საქ. სსრ თევზის მრეწვ. საწარმოო სამმართველოს უფროსად (1960—71). ს-ის ინიციატივით შეიქმნა საქართვ. საოკეანო თევზსაჭერი ფლოტი. დაჯილდოებულია სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის, 2 შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მრავალი მედლით.

ე. ბარათაშვილი.

საპარაშუტო სპორტი, საავიაციო სპორტის სახეობა, რ-იც მოიცავს სხვადასხვა საფრენი აპარატიდან (თვითმფრინავი, შვეულმფრენი, პლანერი და სხვ.) *პარაშუტით* ხტომას. ს. ს-ის შეჯიბრებათა თანამედროვე პროგრამაში შედის ერთეული და ჯგუფური ხტომები დაშვების სიზუსტეზე (სიმაღლე 600—1500 *მ*) — სპორტსმენი მიწაზე ეშვება 10 *მ* დიამეტრის მქონე სამიზნე წრეში; ერთეული ხტომა — სპორტსმენი თავისუფალი ვარდნის დროს (სიმაღლე 2000 *მ*) ასრულებს აკრობატულ ფიგურებს; გახანგრძლივებული ერთეული ხტომა — სპორტსმენი რაც შეიძლება აყოვნებს პარაშუტის გახსნას (სიმაღლე განსაზღვრული არ არის); ჯგუფური კომპლ. ხტომა-თავისუფალი ვარდნის დროს (სიმაღლე 2400 *მ*) სპორტსმენები ერთმანეთს გადასცემენ ესტაფეტის ჯოხებს და ეშვებიან სამიზნე წრეში; ჯგუფური აკრობატული ხტომა — თავისუფალი ვარდნის დროს (სიმაღლე 2400—4000 *მ*) სპორტსმენები ეწყობიან და აკეთებენ ამა თუ იმ ფიგურას; საპარაშუტო მრავალჭიდი —ხტომა დაშვების სიზუსტეზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, კროსი, ცურვა.

ს. ს. ჩაისახა XX ს. 20-იანი წწ. დასასრ. სსრკ-ში ს. ს-ის განვითარება 1930-იდან დაიწყო. 1935 შეიქმნა სსრკ-ის ცენტრ. აეროკლუბი. 1948 ჩამოყალიბდა ს. ს-ის საკავშ. სექცია, რ-იც 1960-იდან შევიდა სსრკ საავიაციო სპორტის ფედერაციის შემადგენლობაში. 1966 შეიქმნა ს. ს-ის დამოუკიდებელი ფედერაცია. 1949-იდან. რეგულარულად ეწყობა სსრკ ჩემპიონატები ს. ს-ში. 1950 საერთაშ. საავიაციო ფედერაციასთან (ფაი) შეიქმნა საპარაშუტო კომისია, რ-იც ხელმძღვანელობს მსოფლიოში ს ს-ის განვითარებას და მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარებას. 1951 შედგა მსოფლიოს I ჩემპიონატი (იუგოსლავია). 1954-იდან მსოფლიო ჩემპიონატებში (ტარდება 2 წ-ში ერთხელ) მონაწილეობენ საბჭ. სპორტსმენებიც.

საპარო ენები, აღმ. ეკვადორსა და ჩრდ.-დას. პერუში მცხოვრები ინდიელების ენათა ოჯახი. მოიცავს კორონადოს ქვეჯგუფის ენებს (კორონადო, ოა), ანდოა ენებს (ანდოა, გაე ანუ სიავირი, სიმიგაე, იკიტო და სხვ.) და საპარო ენას. ს. ე-ს გენეტიკურად უკავშირებენ მირანიას, უიტოტოსა და ტუპი-გუარანის ენებს.

საპასაჟო ინსტრუმენტი, ასტრონომიული ხელსაწყო, რ-ითაც განსაზღვრავენ ცის მერიდიანზე ან პირველ ვერტიკალზე (იხ. *ცის სფერო*) ციური სხეულების გავლის მომენტებს. ს. ი. ორი სახისაა: სტაციონარული (მერიდიანში დაყენებული), რ-ის საშუალებითაც საზღვრავენ პირდაპირ ალვილენას, და გადასატანი, რ-თაც საზღვრავენ *საათის შესწორებას*. ამავე ინსტრუმენტით შეიძლება პირდაპირი ალვილენის განსაზღვრაც, მხოლოდ უფრო ნაკლები სიზუსტით. თუ ს. ი-ს დავაყენებთ პირველ ვერტიკალში, მაშინ ისაზღვრება დაკვირვების ადგილის გეოგრ. განედი ან მწათობის დახრილობა. ს. ი. გამოიგონა დანიელმა ასტრონომმა ო. *რემერმა* 1689. მისი ძირითადი ნაწილია ასტრონ. მილი, დამაგრებული ს. ი-ის ჰორიზ. ღერძზე, რ-ის ბრუნვისას მილი ცაზე შემოწერს მერიდიანს ან პირველ ვერტიკალს. მილს ოკულარში აქვს სპეც. მოწყობილობა გავლის მომენტების ზუსტი აღნიშვნისათვის ან უპიროვნო მიკრომეტრი, ან ფოტოელემენტი.

ლიტ.: Подобед В. В., Фундаментальная астрометрия, 2 изд., М., 1968.

საპატენტო სამართალი, ბურჟუაზიული სამართლის დარგი, რ-ის ნორმები განსაზღვრავს გამოგონების დაცვის სისტემას *პატენტის* გაცემის გზით. ს. ს. ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალიზმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით წარმოიშვა (დიდ ბრიტანეთში XVII ს. დასაწყისში, აშშ-სა და საფრანგეთში XVIII ს. ბოლოს, რუსეთში XIX ს. II ნახევარში და ა. შ.). ს. ს. შესაძლებლობას აძლევს პატენტის მფლობელს გამოგონებაზე მონოპოლიის გამოყენების გზით აინაზღაუროს ის ხარჯები, რაც გასწია ტექ. სიახლის პრაქტიკულად დანერგვისას, ასევე მიიღოს ნორმალური (ხელსაყრელ პირობებში გაზრდილი) მოგება. ს. ს-ის ძირითად შინაარსს ქმნის ნორმები, რ-ებიც განსაზღვრავს პატენტის მფლობელისათვის მინიჭებულ უფლებებს, ამ უფლებების სრული ან ნაწილობრივი დათმობის, ასევე პატენტის გაცემის სახელმწ. ორგანოში — საპატენტო უწყებაში — განაცხადის შეტანის წესს. ცალკეულ ქვეყნებში განაცხადის შეტანის სხვადასხვა წესია დადგენილი. მათგან ტრადიციულია საგანცხადებო და შემმოწმებელი სისტემები. პირველი სისტემის გამოყენებისას საპატენტო უწყება მხოლოდ იმის შემოწმებით კმაყოფილდება, შეესაბამება თუ არა განაცხადი ფორმალურ მოთხოვნებს და ამ მხრივ თუ რაიმე დარღვევა არ არსებობს — გასცემს პატენტს. მოთხოვნებს, რ-ებიც გამოგონებას წაეყენება, ამოწმებს სასამართლო — დაინტერესებულ პირს შეაქვს სარჩელი პატენტის ანულირების თაობაზე. მეორე — შემმოწმებელი — სისტემის დროს კი — საპატენტო უწყება ამოწმებს იმ მოთხოვნებს, რ-ებიც კანონის შესაბამისად გამოგონებას მოეთხოვება (ამ სისტემის დროსაც პატენტი შეიძლება სადავო გახდეს სასამართლოში). ს. ს. ითვალისწინებს პატენტის გაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის განხილვის წესს. დავას თავდაპირველად იხილავს საპატენტო უწყება, საბოლოოდ კი — სპეც. საპატენტო სასამართლო ან საერთო იურისდიქციის სასამართლო.

კაპიტალ. ქვეყნებში ხშირად შეზღუდულია ს. ს-ის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, რომ გამოგონების მფლობელს შეუძლია თავისი შეხედულებით ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით. ზოგიერთი კატეგორიის გამოგონება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, გარდა ამისა ფართოდ არის გავრცელებული გამოგონებაზე უფლების იძულებით გასხვისება და სხვ. *ზ. აბელედიანი.*

„საპატიო ნიშანი", ორდენი, რ-იც დააწესა სსრკ ცაკმა 1935 წ. 25 ნოემბ. ამ ორდენით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აჯილდოებს ცალკეულ მოქალაქეებსა და კოლექტივებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ვაჭრობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის; სამეცნ.-კულ., კულტ.-საგანმანათლებლო და სპორტ. მოღვაწეობაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის, დიდი ეკონ. მნიშვნელობის გამოგონებისა და ტექ. გაუმჯობესებისათვის; საბჭ. არმიისა და სსრკ თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. ორდენის ნიშანი ვერცხლისაგან მზადდება. იბნევენ *შრომის წითელი დროშის ორდენის* შემლეგ. იხ. ფერადი ჩანართი სტ-თან *ორდენები სსრ კავშირისა.*

საპატიო სიგელი, სოციალისტურ ქვეყნებში მშრომელებისა და კოლექტივების მორალური წახალისების ერთ-ერთი ფორმა. სსრკ-ში ს. ს-ით აჯილდოებენ მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, პროფკავშირების ცენტრ. საბჭოები, სამინისტროები (უწყებები), ადგილ. საბჭოს აღმასკომები და სხვ. ს. ს-ით დაჯილდოების წესი გათვალისწინებულია დებულებით. მაგ., საქ. სსრ-ში მოქმედებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დებულება ს. ს-ით დაჯილდოების შესახებ. დებულებაში (1967-ის რედაქციით) ნათქვამია, რომ ს. ს-ით დაჯილდოვდებიან მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მეცნ., ლიტ-რისა და ხელოვნ. მოღვაწენი, აგრეთვე სახელმწ. ორგანიზაციები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, კარგი მოსავლის აღებისათვის, ნაყოფიერი საწარმოო სამეცნ. და საზ.-პოლიტ. მოღვაწეობისათვის და სხვ. ს. ს-ით დაჯილდოება, როგორც წახალისების ფორმა, გათვალისწინებულია ტიპობრივი შრომის შინაგანაწესით, აგრეთვე შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით (1970).


საპატიო წოდება ს ს რ კ-შ ი, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ცალკეული მოქალაქისა თუ კოლექტივის დამსახურების აღიარების ერთ-ერთი ფორმა. სსრკ კონსტ. თანახმად (მ. 121, ა. 9), ს. წ-ის დაწესება და მისი მინიჭება შედის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში. სსრკ-ში დაწესებულია შემდეგი ს. წ-ები: *საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი. გმირი ქალაქი* (დაწესდა 1965), *მფრინავი-კოსმონავტი, „გმირი დედა"*, სსრკ სახ. არტისტი (1936), სსრკ სახ. არქიტექტორი (1967), სსრკ სახ. მხატვარი (1943), სსრკ დამს. სამწ. მფრინავი (1965) და სხვ. იმ პირებს, რ-თაც მიენიჭათ ლენინური პრემია ან სსრკ სახელმწ. პრემია მეცნ., ტექ., ლიტ-რის, ხელოვნ. და არქიტ. დარგში, მიენიჭებათ აგრეთვე შესაბამისი პრემიის ლაურეატის წოდება. სახ. მეურნ. რომელიმე დარგში დამსახურებისათვის წახალისების მიზნით სათანადო სამინისტრო პროფსაბჭოს ცკ-თან ერთად ანიჭებს ს. წ-ს (მაგ.: საპატიო მეტალურგი, საპატიო სამთო ინჟინერი). კოლმეურნის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებულია დამს. კოლმეურნისა და საპატიო კოლმეურნის წოდების მინიჭება. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტი ანიჭებს სსრკ სპორტის დამს. ოსტატისა და სსრკ დამს. მწვრთნელის ს. წ-ს. რესპუბლიკურ ს. წ-ს აწესებს და ანიჭებს მოკავშირე რესპ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქ. სსრ ს. წ-ების შესახებ იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, გვ. 351 (ცხრილი).

საპენტი მანქანა, სართავი წარმოების მანქანა, რ-იც ბამბის, სელის, მატყლისა და სხვა ბოჭკოებს მინარევებისაგან წმენდს დარტყმით (იხ. *ჩეჩა*).


საპი, ტბა კამპუჩიაში, უდიდესია ინდოჩინეთის ნ.-კ-ზე. ფართ. 2,5 ათ. *კმ*²-იდან (ზამთრის მშრალი სეზონი) 10 ათ. *კმ*²-მდე (ზაფხულის მუსონების სეზონი). სიღრმე შესაბამისად ცვალებადობს 1—2-იდან 10—14 *მ*-მდე. ს. ზღვის რელიეფური ყურეა, მდ. მეკონგთან აკავშირებს მდ. საპი. წყალდიდობის დროს მდ. მეკონგიდან წყალი გადადის ს-ში, მშრალი სეზონის დროს კი პირიქით — ს-იდან მეკონგში. ს. მდიდარია თევზით. ნაპირები მჭიდროდ არის დასახლებული.

საპინდუსისებრნი (Sapindaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ხეები, ბუჩქები ან მერქნიანი (იშვიათად ბალახოვანი) ლიანები. მათი მარტივი ან ფრთივანი) ლიანები. მათი მარტივი ან ფრთისებრი ფოთლები განლაგებულია მორიგეობით. პატარა ორსქესიანი ან იშვიათად ერთსქესიანი სურნელოვანი ყვავილები შეკრებილია კენწრულ ან უბის ციმოზურ ყვავილედებად. ოჯახი აერთიანებს 140 გვარის 1600-მდე სახეობას. გავრცელებულია აზიისა და ამერ. ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სსრკ-ში — ყირიმსა და კავკასიაში (მ. შ. ჩვენშიც) კულტივირებულია მხოლოდ ერთი გვარი — კელრეუტერია. მისი სახეობები დეკორატიულია. ზოგიერთი ს-თა ქერქი, ფოთლები და

საპოლარიზაციო ხელსა-წყობები



ნახ. 1.



ნახ. 2.

განასხვავებენ ერთსხივიან და ორსხივიან საპოლარიზაციო პრიზმებს. ამ პრიზმებს კონსტრუქციულად ისე ამზადებენ, რომ მათში გამავალმა გამოსხივებამ გაიაროს ორი გარემოს გამყოფი დახრილი საზღვარი, რ-შიც სინათლის გარდატეხის პირობები ორ ურთიერთპერპენდიკულარულ სიბრტყეში პოლარიზებული სინათლის კონისათვის მკვეთრად განსხვავდება. ერთსხივიან საპოლარიზაციო პრიზმაში გადის სხივის ერთი კომპონენტი, ხოლო მეორე შთაინთქმება ან გვერდზე გამოვა (მაგ., ნიკოლის პრიზმაში გადის არაჩვეულებრივი სხივი, ხოლო შთაინთქმება ჩვეულებრივი სხივი). ნახ. 1-ზე ნაჩვენებია გლანის ერთსხივიანი საპოლარიზაციო პრიზმა. AB პაერის შუალედია. წერტილები ორივე სამწახნაგა პრიზმაზე გვიჩვენებს, რომ მათი ოპტიკური ღერძები ნახაზის სიბრტყის პერპენდიკულარულია, O და e, ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი სხივებია. სინათლის ტალღების ელექტრული რხევების მიმართულება სხივებზე ნაჩვენებია ისრებით (რხევები მიმდინარეობს ნახაზის სიბრტყეში) და წერტილებით (რხევები მიმდინარეობს ნახაზის სიბრტყის პერპენდიკულარულად).

ორსხივიანი საპოლარიზაციო პრიზმები ატარებს ამოსავალი სხივის ორ ურთიერთპერპენდიკულარულ წრფივად პოლარიზებულ კომპონენტს და სივრცობრივად გაყოფს მათ. ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ასეთი პრიზმების მაგალითები: ა — როშონის პრიზმა; ბ—სენარმონის პრიზმა; გ—ვოლასტონის პრიზმა. შტრიხული გვიჩვენებს კრისტალოგრაფიული ოპტიკური ღერძების მიმართულებას ნახაზის სიბრტყეში. წერტილები ნიშნავს, რომ ოპტიკური ღერძი ნახაზის სიბრტყის პერპენდიკულარულია (α — გარდამტეხი კუთხე, $\theta \approx 5°$).

ნაყოფი შეიცავს რძეწვენს, საპონინს (*საპონის ბე* და სხვ.), ზოგის ნაყოფი და თესლი იჭმება, ზოგი ძვირფას მერქანს იძლევა.

ლ. ბინთაბიძე.

საპირე-შტეფსელდასასმელი მანქანა, საფოსტო წერილების (კონვერტების, ღია ბარათების) დასამუშავებელი მანქანა. ავტომატურად აწყობს წერილებს მისამართისა და საფოსტო მარკების მიხედვით ერთ მდგომარეობაში, კონვერტზე (ან ღია ბარათზე) შტემპელსა და მარკაზე ტალღური ხაზების წარმოსაქმნელად. ს.-შ. მ-ის მწარმოებლურობაა 20-იდან — 30 ათ-მდე წერილი სთ-ში.

საპირო, ძველ საქართველოში საგანგებო ქონებრივი საზღაური, რ-საც მესისხლეთა დაზავებისას დამნაშავე შერიგების პირობის განსამტკიცებლად *„სისხლის“* გადახდამდე აძლევდა დაზარალებულს. ს. გვხვდება *ბაგრატ კურაპალატის სამართალსა* (მმ. 112, 159—60) და ე. წ. „სასისხლო სიგელებში“ (მათ უმრავლესობაში ტერმინ „ს-ს“ ნაცვლად იხმარება მისი სინონიმი „საზაო“). იგი მესისხლეთა „შესამყრელოდ“ მიიჩნეოდა და, ისევე როგორც *სანაბშირო*, არ შედიოდა „სისხლის“ ანგარიშში — მისი *წინაგასაძლუანებელი* საზღაური იყო. ს-ს ოდენობა დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის სოც.-წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა.

ლიტ.: დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963.

ი. ფუტკარაძე.

საპიტიახშო ქართლისა, იბერიის (ქართლი) სამეფოს დიდმოხელის — ქართლის *პიტიახშის* — საგამგეო ერთეული, რ-იც ძვ. ქართულ წყაროებში დადასტურებულ გაჩიანის ანუ სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას მოიცავდა. ქართლის პიტიახშიი, ფაქტობრივად, სამშვილდის ერისთავი უნდა ყოფილიყო. ეს ტერიტორია ხშირად სომხ. სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ ხვდებოდა, რის გამოც მის გამგებელს სომხ. წყაროებში ხან ქართლის, ხანაც გუგართა პიტიახში ეწოდებოდა (იხ. სტ-ები *გუგარეთი, გოგარენე*). არსებობს მოსაზრება, რომ გუგართა ს. (ქართლის ს.) უნდა წარმოქმნილიყო ძვ. წ. I ს-ში, ტიგრან II-ის ინიციატივით, როგორც სომეხთა სამეფოს ჩრდ. განაპირა ადმ. ერთეული, რ-საც უნდა დაეცვა სამეფოს ჩრდ. საზღვრები. III—IV სს-ში ჩრდილოეთისაკენ (ქართლისაკენ) სომხეთის ექსპანსიის შედეგად ფართოვდებოდა გუგართა ს-ს ტერიტორიაც. სომხ. წყაროების მიხედვით, გუგარეთი უკვე მოიცავს არა მხოლოდ დებედის ხეობას, არამედ ძვ. ქართ. პროვინცია გაჩიანს და მთელ გეღარდს. ზემო ქართლსაც (მესხეთს). IV ს. მეორე ნახევარში გუგარეთი კვლავ ქართლს შეუერთდა და მის მმართველს ამიერიდან ეწოდებოდა ქართლის პიტიახში, რ-იც ფაქტობრივად იგივე სამშვილდის ერისთავი იყო. V ს-ში ცნობილი არიან ქართლის პიტიახშები არშუშა და ვარსქენი, ხოლო VI ს-ში — არშუშა პიტიახში. ფეოდ. ურთიერთობის განვითარების შედეგად თანდათან მოისპო ქართლის სამეფოს ძვ. ადმ. ერთეულები, მ. შ. ქართლის ს-ც. გადაგვარდა პიტიახშის ინ-ტიც. VIII ს. 70-იან წლებში სამშვილდის მფლობელნი, ქართლის პიტიახშთა ჩამომავალნი, ფეოდ. ქართლის ჩვეულებრივი მთავრები არიან.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1, თბ., 1977; მისივე, Из исторической географии Грузии, Тб., 1982; Marquart J., Eränshahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaçi, B., 1901.

დ. მუსხელიშვილი.

საპიტიახშო, საპიტიახჩო, ისტ. სოფელი ქვემო ქართლში, თრიალეთში, მდ. ქციის მარჯვ. მხარეზე საპონაურისა და ცხვარეთის ხევების პირდაპირ სოფელი დააარსა ჯავახეთიდან ოსმალთა მიერ დევნილმა მოსახლეობამ, სახელიც ჯავახეთში მიტოვებული სოფლის მიხედვით დაერქვა. ჯავახეთის ს. მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.).

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგნ. 3, თბ., 1958.

საპლანერო საორტი, საავიაციო სპორტის სახეობა, ჰაერზე მძიმე უმოტორო საფრენი აპარატებით — *პლანერებით* შეჯიბრება. ს. ს-ის თანამედროვე პროგრამაში შედის ჩქაროსნული ფრენა სამკუთხა მარშრუტით 100, 200, 300 და 500 *კმ*-ზე; ფრენა მიზნისაკენ და სტარტზე დაბრუნება, მარშრუტის საბოლოო პუნქტში დაჯდომა; ფრენა ე. წ. ღია სიშორეზე და ფრენა სიშორეზე 1 ან 2 მოსაბრუნებელი პუნქტის გავლით. შეჯიბრებები ტარდება სტანდარტული (ფრთის ზომა 15 *მ*-მდე) და ღია (შეუზღუდავი კონსტრუქციის) კლასების პლანერებზე.

ს. ს. ჩაისახა XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში. 1900-იან წლებში პლანერისტთა პირველი წრეები შეიქმნა მოსკოვში, თბილისში, კიევში, პეტერბურგსა და ყირიმში. სსრკ-ში ს. ს-ის მასობრივი განვითარება დაიწყო 1923-იდან, როდესაც გაიმართა I საკავშ. საპლანერო შეჯიბრება (ყირიმი, კოქტებელი, ამჟამად—პლანიორსკოე). ს. ს-ის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საჰაერო ფლოტის მეგობართა საზ-ბის — ოსოავიაქიმის (შემდგომში სსრკ-ის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის—დოსააფი) მუშაობასთან. ქვეყნის სხვადასხვა რ-ნში გაიხსნა საპლანერო სადგურები, სკოლები, შეიქმნა პლანერისტთა წრეები. 1948 შეიქმნა ს. ს-ის საკავშ. სექცია (1960-იდან შევიდა სსრკ-ს საავიაციო სპორტის ფედერაციის შემადგენლობაში), ხოლო 1960 ს. ს-ის დამოუკიდებელი ფედერაცია. 1949-იდან ს. ს. შეტანილია *ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში*. 1964 ორიოლში გაიხსნა სსრკ-ის დოსააფის ცენტრ. სპორტ.-საპლანერო კლუბი. 1948-იდან 2 წ-ში ერთხელ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი ს. ს-ში. 1950 ფაისთან შეიქმნა საპლანერო კომისია, რ-საც ევალება მსოფლიოში ს. ს-ის განვითარების ხელმძღვანელობა და ს. ს-ში დიდი საერთაშ. შეჯიბრებებისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ორგანიზება.

საპნები, უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების (იხ. *კარბონმჟავები*) მარილები. წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში ს-ს (ან სასაქონლო ს-ს) უწოდებენ ამ მჟავათა წყალში ხსნადი მარილების ტექ. ნარევს, რ-საც ხშირად უმატებენ სხვა გამრეცხ დანამატებს. ტექ. ნარევის ფუძეა ნატრიუმის (იშვიათად კალიუმისა და ამონიუმის) მარილები, რ-თა მოლეკულებშიც ნახშირბადის ატომების რიცხვი 12-იდან 18-მდეა. ს-ს ხშირად მიაკუთვნებენ ნაფთენურ და ფისის მჟავათა მარილებს, ზოგჯერ სხვა ნაერთებსაც, რ-თაც აქვთ გამრეცხი თვისებები. წყალში ხსნადი ს. ტიპური მიცელა-წარმომქმნელი *ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებია*. წყალში გახსნისას ს. განიცდის პიდროლიზს და წარმოქმნის თავისუფალ ტუტესა და სუსტ მჟავას. ამიტომ ნეიტრალური ს-ც კი წყალში გახსნისას წარმოქმნიან ტუტე გარემოს. ს-ის მოქმედება მცირდება ხისტ წყალში, რაც აიხსნება წყალში უხსნარი ცხიმოვანი მჟავების კალციუმისა და მაგნიუმის მარილების წარმოქმნით. ს. შეიძლება იყოს მყარი (ფხვნილისებრი, საცხისებრი) და თხევადი. დანიშნულების მიხედვით — საოჯახო, ტუალეტისა და ტექნიკური; მიღების ხერხის მიხედვით — ნებოვანი და გულა. ს-ის დასამზადებლად იყენებენ მცენარეულ ზეთებს, ცხოველურ ცხიმებს, სინთეზურ ცხიმოვან მჟავებს, კოლოფონს, ნაფთენმჟავებს, ტალის ზეთს და ა. შ.

ს-ის მიღების ტექნოლ. პროცესი მოიცავს 2 ეტაპს: ს-ის ხარშვასა და მოხარშული ს-ის სასაქონლო პროდუქტად გადამუშავებას. გაცხელებულ ცხიმოვან ნედლეულს უმატებენ კაუსტიკურ სოდას (NaOH), რის შედეგად მიმდინარეობს *გასაპნის* რეაქცია. გაბლეჩილ ცხიმებს ნეიტრალებენ კალცინირებული სოდით (Na_2CO_3), ხოლო შემდეგ კვლავ გასაპნ-ენ მწვავე ტუტით. ხარშვის შედეგად წარმოიქმნება საპნის წებო — ერთგვაროვანი ბლანტი სითხე, რ-იც გაცივების პროცესში სქელდება. ამ ხერხით მიღებული ს. შეიცავს 40-იდან 60%-მდე ცხიმოვან მჟავებს. საპნის წებოს ელექტროლიტებით დამუშავების შედეგად სახარშ ქვაბში წარმოიქმნება 2 შრე. ზედა შრე შეიცავს 60% ცხიმოვან მჟავას, მას ეწოდება საპნის გული და მისგან ღებულობენ უმაღლესი ხარისხის გულა ს-ს. ქვედა შრეში (საპნისქვეშა თუთქი) გადადის გლიცერინის უდიდესი ნაწილი და საწყისი პროდუქტებით შეტანილი ჭუჭყი. ს-ის წებოს მიღების ხერხს ეწოდება პირდაპირი, საპნის გულისას — არაპირდაპირი. სამეურნეო ს-ის მისაღებად იყენებენ ორივე ხერხს, ხელის ს-ს ღებულობენ არაპირდაპირი ხერხით.

მყარი ს-ის მიღების მეორე ეტაპზე ს-ის მასას აცივებენ, შეაშრობენ, მექან. დამუშავებით ანიჭებენ პლასტიკურობას, ერთგვაროვნებას და ჭრიან სტანდარტული მასის ნაჭრებად. ხელის ს-ს უმატებენ სურნელოვან ნივთიერებებს, საღებრებს სადეზინფექციო ნივთიერებებს და სხვ. დაბალი ხარისხის ს-ს ზოგჯერ უმატებენ მინერ. შემსებებს (ბენტონიტურ თიხას, გაწმენდილ კაოლინს).

ფხვნილისებრ ს-ს ღებულობენ ს-ის გაფრქვეული ხსნარების შრობით. ს-ის წარმოებისას იყენებენ ავტომატიზებულ უწყვეტი ქმედების ტექნოლ. აპარატურას.

ს. ცნობილია უძველესი დროიდან. *პლინიუს უფროსის* მიხედვით, ს-ის დამზადება ცხიმების დამუშავებით ნატრით, კირითა და ბუნებრივი ტუტეებით ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. გალებისა და გერმანელებისათვის, მაგრამ მისი *სარეცხ საშუალებად* გამოყენება დაიწყეს გაცილებით გვიან; სავარაუდოა, რომ ს. ევროპაში უკვე XVII ს-ში ფართოდ იყო გავრცელებული. ს-ის სამრეწვ. წარმოება დაიწყო XIX ს-ში.

ლიტ Технология переработки жиров. 3 изд., М., 1969.

საპნის ხე (Sapindus), მცენარეთა გვარი საპინდუსისებრთა ოჯახისა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი ხეებია. 15-მდე სახეობა გავრცელებულია აზიისა და ამერ. ტროპიკებში. ნაყოფი 38%-მდე საპონინებს შეიცავს და საპნის მაგივრად ხმარობენ. კულტივირებულია დეკორ. მცენარედ ტროპ. და თბილ ქვეყნებში. სსრკ-ში, კავკ. შავი ზღვის სანაპიროზე, მოჰყავთ 3 სახეობა, მ. შ. ჩრდილოამერ. სახეობა S. drummondii—საქართველოში (ბათუმში). ზოგჯერ ს. ხ-ს ეძახიან კელრეუტერიასაც (Koelreuteria paniculata); იმავე ოჯახის მცენარეა, იზრდება აღმ. აზიაში და ქერქი საპონინს შეიცავს.

საპოვნელა, საპოვნელო, საპოვნელი, დაკარგული ნივთის პოვნის გასამრჯელო საქართველოში. ს. აღბეჭდას სამართლით დაკანონდა (XIV ს.): ვინც ნაპოვნს პატრონს დაუბრუნებდა, მისგან „მსგავსიერ საპოვნელა“ — შესაფერ ჯილდოს მიიღებდა (მ. 92). ი. ბაგრატიონის „სჯულდებით“ (XVIII ს.), ს. (ნაქურდლის 5%) ლეგალურ, ერთგვარ მოხელესავით მოქმედ „ქურდების უფროსს“ ჩაბარდებოდა და მისი მეშვეობით ნაპარავის დამბრუნებელ ქურდებს გაუნაწილდე-

ოდა (მ. 62). „*სამართალი სომხური*“ (მ. 64) კრძალავდა ს-ს აღებას. იხ. აგრეთვე ტ. *ნაპოვარი*.

ლიტ.: ბაგრატიონი ი., სჯულ. ება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმ. ინფორმაციო რეფორმების პროექტი), ი. სურ. ულაძის გამოც., თბ., 1957, გვ. 056—057; ოლიძე ი., ძველი ქართული სამართა. ი, თბ., 1953, გვ. 175. *ი. ფუტკარაძე.*

საპოლარიზაციო ხელსაწყოები, ხელსაწყოები, რ-თა დანიშნულებაა პოლარიზებული ოპტიკური გამოსხივების სინათლის) აღმოჩენა, ანალიზი, მიღება და გარდაქმნა, აგრეთვე *სინათლის პოლარიზაციაზე* დაფუძნებული კვლევა და გაზომები. ს. ხ-ს ყოფენ ორ კატეგორიად: . პოლარიზებული სინათლის მისაღები და გარდასაქმნელი უმარტივესი მოწყობილობები — წრფივი და წრიული (ცირკულარული) პოლარიზატორები, ფაზური ფირფიტები, ოპტ. კომპენსატორები, დეპოლარიზატორები და სხვ.; 2. უფრო რთული კონსტრუქციები და დანადგარები რადენობრივი პოლარიზაციულ-ოპტ. კვლევისათვის. ასეთი დანადგარები ელემენტების ახით შეიცავს პირველი კატეგორიის ხელსაწყოებს, აგრეთვე სინათლის მიმღებებს, ონოქრომატორებს, დამხმარე ელექტრონულ აპარატურას და სხვ.

სრულად ან ნაწილობრივად პოლარიებული სინათლის მისაღებად იყენებენ ემდეგი სამი ფიზ. მოვლენიდან ერთ-ერთს: . პოლარიზაციას ორი გამჭვირვალე გარეოს გამყოფი ზედაპირიდან სინათლის არეელის ან *სინათლის გარდატეხის* დროს; 2. რფივ *დიქროიზმს* (შთანთქმის კოეფიციენტის დამოკიდებულება პოლარიზაციის იბრტყის ორიენტაციაზე); 3. *ორმაგ ბირეთტეხას*.

სხვადასხვა გარდატეხის მაჩვენებლის ქონე ორი გარემოს გამყოფი ზედაპირიდან რეკლილი სინათლე ყოველთვის ნაწიობრივ პოლარიზებულია. თუ ორი გარეოს გამყოფ ზედაპირზე სინათლის სხივის აცემის კუთხის ტანგენსი პირველი გარეოს მიმართ მეორე გარემოს ფარდობითი არდატეხის მაჩვენებლის ტოლია, არეკლილი სხივი სრულად პოლარიზებული ამოდის (*იხ. ბრიუსტერის კანონი*). არეკლის მოვლენაზე დაფუძნებული ს. ხ-ის აკლია არეკვლის კოეფიციენტის სიმცრე. პოლარიზაციის ხარისხის კაკიდებულება დაცემის კუთხესა და ტაულის სიგრძეზე. დიქროიზმის მოვლენაზე ამყარებულ ს. ხ-ს (მაგ., პოლაროიდებს) ხასიათებს კომპაქტურობა და დიდი მუშა პერტურა (კრებადი ან განშლადი აცემული კონების მაქს. გაშლილობის უთხე, რ-ის დროსაც გასული სინათლე ერ კიდევ სრულადაა პოლარიზებული). რმაგი სხივთეხების მოვლენაზე დაფუძნებულ ს. ხ-ს (*პოლარიზაციო პრიზმები*) ოლაროიდებთან შედარებით აქვთ მცირე პერტურა, ჯერო გაბარიტები, მასა და ირებულება — მეტი. მიუხედავად ამისა, სინი შეუცვლელნი არიან სპექტრის ულტაისფერი ნაწილისა და ოპტ. გამოსხივების მძლავრი ნაკადებისათვის.

პოლარიზაციულ-ოპტ. კვლევისათვის ანკუთვნილი ს. ხ. მრავალფეროვანია ოგორც კონსტრუქციულად, ისე გამოყებების სფეროს მიხედვით. მათ იყენებენ ოტომეტრიული და სპექტრომეტრიული აზომვებისათვის, კრისტალოოპტ. კვლესათვის, ოპტ. ლოკაციის სისტემებში, ყარი სხეულების, ატომებისა და მოლეკუების ელექტრონული სტრუქტურის კვლესათვის და სხვ. (იხ. ნახ.).

ლიტ.: Васильев Б. И., Оптика оляризационных приборов, М., 1969; Яшловский А. А., Прикладная изическая оптика, М., 1961.

საპონა (Saponaria), ყვავილოვან მცენათა გვარი მიხაკისებრთა ოჯახისა. მრაელწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია. ვავილები შეკრებილია ფარისმაგვარ-საგელასებრ ყვავილედად. ჯამი ფოთლებშეზრდილია, გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი. ნაყოფი ერთბუდიანი კოლოფია. ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და აზიაში 30-მდე სახეობა იზრდება, სსრკ-ში — 10, მ. შ. 4 — საქართველოში. მათგან ერთ-ერთს, სამკურნალო ს-ს (S. officinalis) აშენებენ დეკორ. და სამკურნ. მცენარედ; მისი ფესვებიდან, რ-იც 35% საპონინს შეიცავს, იღებენ საპნის სუროგატს.

ზ. ლეონიანიძე.

საპონინები (<ლათ. sapo, ნათ. ბრ. saponis — საპონი), რთული ორგანული უაზოტო ნაერთები მცენარეული *გლიკოზიდების* ჯგუფისა. ფერმენტული ან მჟავური ჰიდროლიზის დროს ს. იძლევა მონოსაქარიდებს და აგლიკონს (საპოგენინი). ს. ზოგჯერ ურონის მჟავებსაც შეიცავს. ს-ს ძირითადად შეიცავენ მცენარეები (*ვარდისებრთა, მიხაკისებრთა* და სხვ. ოჯახები) და ზოგი ზღვის ცხოველი (ზღვის ვარსკვლავა, პოლოთურია). ს. ფენოლებთან, უმაღლეს სპირტებთან (მაგ. სტეროლებთან) გვაძლევენ საპნისმაგვარ, ქაფიან კოლოიდურ ხსნარს. აქვთ მწარე, ცხარე გემო. ეტანში შეყვანისას ს. მეტად ტოქსიკურია—იწვევს ერითროციტების დაშლას (*ჰემოლიზს*); როცა დასალევად ხმარობენ, ტოქსიკურობას არ ამჟღავნებს, რადგან ნაწლავებში იშლება ან არ შეიწოვება. ს-ს იყენებენ როგორც სტეროიდული ჰორმონების იაფ წყაროს, როგორც ქაფის წარმომქმნელს, ს-ს იყენებენ ცეცხლსაქრობ აპარატებში, შუშხუნა სასმელების, ლუდის და სხვ. წარმოებაში. ს. შედის მრავალ სამკურნ. მცენარეში (საპნის ხის ქერქი, სენეგა და სხვ.), რ-ებიც გამოიყენება ამოსასხველებელ და შარდმდენ საშუალებად. ცხენის წაბლას ს-ს და მანჯურული არალიის არალოზიდებს აქვთ კარდიოტონიური თვისებები.

ნ. ნუცუბიძე.

საპორო, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰოკაიდოს სამხრ. ნაწილში, მდ. ტოიოჰირის ნაპირზე, იაპ. ზღვის მახლობლად. 1,4 მლნ. მცხ. (1980). კ. ჰოკაიდოს ადმ., ეკონ. და კულტ. ცენტრი. საფეიქრო, ნავთობგადამუშ., ქიმ., ფარმაცევტული, ტყავის, ხეტყის სახერხი და ხის დასამუშ., კვების, პოლიგრ. მრეწველობა. ავიამშენებლობა. უნ-ტი, სამეცნ.-კვლ. ინ-ტები; სას.-სამ. ექსპერ. სადგური. პარკები, ბოტან. ბაღი და ბოტან. მუზეუმი.

1972 ს-ში ჩატარდა XI ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

საპორტა (Saporta) გასტონ დე (23. VII. 1823, სენ-ზაკარი, ვარი, — 28. I. 1895, ექს-ან-პროვანსი), ფრანგი პალეობოტანიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1876). საფუძველი ჩაუყარა საფრ. კაინოზოური და მეზოზოური ფლორის შესწავლას. აღიარა ჩ. *დარვინის* ევოლ. მოძღვრება და პალეობოტან. მასალებზე დაყრდნობით მოგვცა მისი დამატებითი მტკიცებულება.

საპოტეკები, ინდიელი ხალხი მექსიკაში. ცხოვრობენ უმთავრესად ოახაკის შტატში. რაოდ. დაახლ. 450 ათ. კაცი (1978, შეფასება). ენა განეკუთვნება ოტომიმიშტეკოსაპოტეკურ ენებს. რელიგიით ფორმალურად კათოლიკები არიან, მაგრამ ინარჩუნებენ ტრად. რწმენებსაც. ამერიკაში ევროპელთა გამოჩენამდე უკვე ჰქონდათ ადრინდ. კლასობრივი საზ-ბა, შექმნეს თავისებური კულტურა (უძველესი ძეგლები ძვ. წ. X ს. განეკუთვნება). II—V სს-ში, ს-ის კულტ. აყვავების პერიოდში, აშენდა სასახლეები, სარიტუალო ნაგებობანი, „ობსერვატორიები“. თავისებურებით ხასიათდება მიწაში დაფლული აკლდამები, რ-თა ფასადები უხვად არის შემკული. რელიეფებში (ძვ. წ. VIII—IV სს.) გამოსახულია „მოცეკვაეთა“ გროტესკული ფიგურები, მოგვიანებით — ღვთაებანი. კერამ. ჭურჭელი გამოხატავს მჯდომარე ადამიანთა ფიგურებს, რ-თაც თითქმის პორტრეტული სახეები აქვთ.

საპოტისებრნი (Sapotaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მეტწილად მარადმწვანე ხეები და ბუჩქებია. აქვთ კიდემთლიანი და მორიგეობით განლაგებული ფოთლები. ყვავილები ხშირად ორსქესიანია, უმრავლესობისა წვრილია, ეული ან კონებად შეკრული. ნაყოფი კენკრაა. უმეტესობას ახასიათებს *კაულიფლორია*. ოჯახში 60-მდე გვარის 800 სახეობაა, გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში. სსრკ-ში მხოლოდ ნამარხი ფორმებია ცნობილი. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გუტაპერჩის შემცველ მცენარეებს (Palaquium-ის და Payena-ს გვარები). ბევრის (Achras, Lucuma და სხვ.) ნაყოფი იჭმება. ზოგის (Butyrospermum და სხვ.) თესლიდან ხდიან საჭმელ და ტექ. ზეთს. ბევრ სახეობას (მ. შ. *ბერკინის* სახელით ცნობილს) ძვირფასი მერქანი აქვს.



საპონა. სამკურნალო საპონა.

საპოხი მასალა, ნავთობისა ან სხვადასხვა სინთეზური ნივთიერების გადამუშავების პროდუქტი, რ-საც იყენებენ მექანიზმების მოხახუნე ნაწილების შესაზეთად. ს. მ-ის ხარისხისა და დანიშნულების მთავარი მაჩვენებელია სიბლანტე, აალებისა და გამყარების ტემპერა, ჟანგვისადმი მდგრადობა და სხვ. სიბლანტის მიხედვით ს. მ. არის მსუბუქი, საშუალო და მძიმე. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის ს. მ-ს: საავიაციო, ვაკუუმის, ტრანსფორმატორის, ძრავას, სამანქანო და სხვ.


საპრასხია, სოფელი ვანის რ-ნში, მდ. კვინისწყლის (რიონის სისტემა) ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., რომანეთი). ზ. დ. 420 *მ*, ვანიდან 20 *კმ*. საპრასია-რომანეთის 25 თებერვლის სახ. კოლ-ბა (მეხილეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა). დაწყ. და საშ. სკოლები, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, ამბულ., აფთიაქი, ფოსტა.


საპრეტენზიო წესი, მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტის საშუალება არბიტრაჟსა თუ სასამართლოში მიმართვამდე. ცალკეული კატეგორიის საქმეების მიმართ კანონი ავალდებულებს მხარეებს სასამართლოში მიმართვამდე მიიღონ ზომები მათ შორის არსებული დავის უშუალოდ მოგვარებისათვის, ერთმანეთისადმი წაყენებული მოთხოვნების ურთიერთშეთანხმებისათვის. ს. წ-ის დაცვის გარეშე, როცა ეს კანონით სავალდებულოა, სასამართლო (არბიტრაჟი) არ მიიღებს და არ განიხილავს სარჩელს. მაგ., სსრკ რკინიგზის წესდების (მ. 169) თანახმად, სარჩელის აღძვრამდე სავალდებულოა პრეტენზიით მიმართონ რკინიგზას. ტვირთის თუ ბარგის დაკარგვის შემთხვევაში რკინიგზისადმი პრეტენზიის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეს, რ-საც საბარგო ან სატვირთო ქვითარი აქვს. პრეტენზია წარედგინება სატრანსპ. ორგანოს სამმართველოს ბარგის გაგზავნის ან მიღების ადგილის მიხედვით. რკინიგზა ვალდებულია განიხილოს პრეტენზია და შედეგები აცნობოს განმცხადებელს კანონით დადგენილ ვადებში. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მოქალაქეს მიმართოს სასამართლოს.

სამეურნეო ორგანოებს შორის დავა შეიძლება გადაეცეს განსახილველად არბიტრაჟს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოდავე მხარეები წინასწარ უშუალოდ მიიღებენ ზომებს მ. შ. არსებული კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

თ. ლილუაშვილი.

საპრიალებელი და დასაყვანი მასალები, წვრილდისპერსიული ფხვნილისებრი ნივთიერებანი, აგრეთვე პასტები და სუსპენზიები იმ ნივთიერებათა ფუძეზე, რ-ებსაც იყენებენ *გაპრიალებისა* და *დაგვანის* დროს. ფხვნილისებრი ნივთიერებანი (საპრიალებელი ფხვნილები) არის სალი (ალმასი, კორუნდი და სხვ.) და რბილი (რკინის, ქრომისა და ალუმინის ჟანგეულები, ულტრამარინი და სხვ.). სალ ფხვნილებს (მარცვლების ზომაა 0,1—60 *მკმ*) იყენებენ დაყვანისა და წინასწა-






საპროლეგნიასანაირნი. საპროლეგნიანი: 1 — ზოოსპორანგიუმი; 2—ზოოსპორების გამოსვლა; 3—ზოოსპორანგიუმის პროლიფერაცია; 4—ოოგონიუმი ანთერიდიუმებით.

რი გაპრიალებისას. საბოლოო გაპრიალების ოპერაციას ატარებენ რბილი ფხვნილებით. გაპრიალებისას ძირითადად იყენებენ ს.და დ. მ-ის პასტებსა და სუსპენზიებს. პასტები შედგება საპრიალებელი ფხვნილებისა და ცხიმებისაგან, შემკვრელისაგან, ზედაპირულად აქტიური და სხვა ნივთიერებებისაგან. სუსპენზიების შედგენილობაში ფხვნილების გარდა შედის მყავებისა და ტუტეების ხსნარები, კოროზიის ინჰიბიტორები. იხ. აგრეთვე *აბრაზიული მასალები*.

საპრიალებელი ჩარხი, ნაკეთობის ზედაპირის გასაპრიალებელი ჩარხი. მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში იყენებენ მისალესელიან, სითხიანსა და ცენტრიდანულ ს. ჩ-ებს. პირველში ნაკეთობას აპრიალებს მისალესელი, რ-იც ბრუნავს და გადაადგილდება დასამუშ. ზედაპირზე. მისალესელს ამზადებენ რბილი ლითონის, ხის, თექის ან ტყავისაგან. *საპრიალებელი და დასაყვანი მასალები* დაადგენ მისალესელზე ან დამუშავების პროცესში აწვდიან მისალესელსა და დასამუშ. ზედაპირს შორის. სითხიან ს. ჩ-ზე კამერაში მოთავსებულია ნამზადი, რ-საც აპრიალებს აბრაზივით გაჯერებული სითხის ჭავლი. ეს უკანასკნელი დიდი სიჩქარით გამოედინება ფრქვევანადან, რ-იც ავტომატურად გადაადგილდება ნამზადის გასწვრივ. ცენტრიდანულ ს. ჩ-ში აბრაზიული ფხვნილით ან სუსპენზიით სავსე ჭურჭელი ბრუნავს, ნარევი მოძრაობს და აპრიალებს უძრავ დეტალს.

ავეჯისა და სადურგლო წარმოებაში განასხვავებენ სადურგლო გაპრიალებისა და ლაქ-საღებავებით გაპრიალებისათვის განკუთვნილ ს. ჩ-ებს. პირველი ტიპის ჩარხებზე მუშა თავზე დამაგრებული ერთი ან რამდენიმე ტამპონი ბრუნავს და მუშა თავთან ერთად გადაადგილდება დასამუშ. ბრტყელ ზედაპირზე. ლაქ-საღებავებით გაპრიალებისათვის იყენებენ ს. ჩ-ს მბრუნავი რბილი დოლებითურთ, რ-ებიც აწყობილია ქსოვილის დისკოებისაგან.

საპრობიონტები, საპრობები (ბერძნ. sapros — დამპალი და bios — სიცოცხლე), მცენარეები და ცხოველები, რ-ებიც ბინადრობენ ორგანული ნივთიერებებით დაბინძურებულ წყალში. ს-ს შორის არჩევენ პოლისაპრობებს, რ-ებიც ბინადრობენ ძლიერ დაბინძურებულ წყალში; მეზოსაპრობებს — საშუალოდ დაბინძურებული წყლის ბინადართ და ოლიგოსაპრობებს — ნაკლებად დაბინძურებული წყლის მცხოვრებთ. ს-ისა და მათი სპეციფ. თანასაზ-ბების შედგენილობა წყლის დაბინძურების კრიტერიუმია. ს-ის წყალობით ხდება ორგ. ნარჩენების მინერალიზაცია. მათ ამ თვისებას იყენებენ წყლის, განსაკუთრებით ჩამდინარე წყლის, თვითგაწმენდის პროცესთა გასაძლიერებლად.



საპროექციო აპარატი. ნახ. 1. დიასკოპური აპარატის ოპტიკური სქემა: 1— სინათლის წყარო; 2 — განათების სისტემა (კონდენსორი); 3 — დიაპოზიტივი; 4—ობიექტივი; 5—ეკრანი.

საპროექციო აპარატი. ნახ. 2. ეპისკოპური აპარატის ოპტიკური სქემა: 1 — სინათლის წყარო; 2 — ამრეკლი; 3 — საპროექციო ობიექტი; 4 — ობიექტივი; 5—სარკე, 6—ეკრანი.

საპროექციო აპარატი, ოპტიკური მოწყობილობა, რ-საც იყენებენ ობიექტების ოპტიკური გამოსახულებების ფორმირებისათვის ეკრანის როლის შემსრულებელ განმბნევ ზედაპირზე. ობიექტის განათების ხერხის მიხედვით განასხვავებენ დიასკოპურ, ეპისკოპურსა და ეპიდიასკოპურ ს. ა-ებს.

დიასკოპური ს. ა-ში (დიაპროექტორში; ნახ. 1) გამოსახულება ეკრანზე წარმოიქმნება გამჭვირვალე ობიექტში (*დიაპოზიტივში*, კინოფირში) გამავალი სინათლის სხივებით. დიასკოპური ს. ა-ის სახესხვაობაა *კინოსაპროექციო აპარატი*. დიაპროექტორისაგან განსხვავებით დიასკოპი წარმოადგენს ხელსაწყოს, რ-შიც გამჭვირვალე ობიექტში გამავალი სინათლის სხივები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ეს ობიექტი ოკულარის მეშვეობით. დიაპროექტორი წარმოადგენს ს. ა-ების ყველაზე მრავალრიცხოვან და მრავალსახა ჯგუფს. მისი დანიშნულებაა ფოტობეჭდვის წარმოება, დიაპოზიტივების განხილვა, მიკროფილმების წაკითხვა, აეროფოტოსურათების დამუშავება და ა. შ.; დიაპოზიტივების დაფოკუსება და შეცვლა ხშირად ავტომატურად ხდება, მათი დემონსტრაცია, ზოგჯერ მიმდინარეობს ბგერითი თანხლებით.

ეპისკოპური ს. ა. (ნახ. 2) გაუმჭვირვალე ობიექტის გამოსახულებას აპროექციებს ეკრანზე ამ ობიექტის მიერ არეკვლილი და გაბნეული სხივების მეშვეობით. ამ ჯგუფში შედის ეპისკოპი, ტოპოგრ. რუკების პირგადასაღები, ნახატების საპროექციებელი ხელსაწყოები და ა. შ.

ეპიდიასკოპური ს. ა. დიასკოპური და ეპისკოპური ხელსაწყოების კომბინაციაა (იხ. *ეპიდიასკოპი*), რ-იც საშუალებას იძლევა დაპროეცირდეს როგორც გამჭვირვალე, ისე გაუმჭვირი ობიექტები.

ს. ა. შედგება მექან. და ოპტ. ნაწილებისაგან. მექან. ნაწილი უზრუნველყოფს ობიექტების გარკვეულ მდებარეობას ოპტ. ნაწილის მიმართ, ობიექტების შეცვლასა და მათი დაპროექციების საჭირო ხანგრძლივობას. ოპტ. ნაწილი შედგება განათების სისტემისა და საპროექციო *ობიექტივისაგან*.

საპროკურორო ზედამხედველობა, უმაღლესი ზედამხედველობა კანონთა ერთგვაროვან და ზუსტ შესრულებაზე. სსრკ კონსტიტუციაში (მ. 164) გათვალისწინებულია, რომ კანონთა შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრკ *გენერალურ პროკურორს* და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს. კონსტ. თანახმად, პროკურატურის ორგანოები ზედამხედველობას უწევენ იმას, რომ ყველა სამინისტრო, სახელმწ. კომიტეტი, უწყება, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, სახ. დეპუტატთა ადგილ. საბჭოების აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანო, კოლ-ბა, კოოპ. და სხვა საზ. ორგანიზაცია, თანამდებობის პირი და მოქალაქე ზუსტად და ერთგვაროვნად ასრულებდეს კანონებს (საერთო ზედამხედველობა); სისხლის სამართ. პასუხისგებაში აძლევენ იმ პირს, რ-მაც დანაშაული ჩაიდინა; ზედამხედველობას უწევენ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების დაცვას და სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართ. საქმეთა განხილვის კანონიერებას (სასამართლოს ზედამხედველობა); ზედამხედველობას უწევენ აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა მოთავსების კანონიერებას.

ზედამხედველობის განხორციელების დროს პროკურორი უფლებამოსილია გამოითხოვოს ყველა სახელმწ. ორგანოდან ან საზ. ორგანიზაციიდან ბრძანებები, ინსტრუქციები, დებულებები და სხვა აქტები მათი კანონის შესაბამისობის შესამოწმებლად, მოსთხოვოს თანამდებობის პირს და მოქალაქეს საჭირო დოკუმენტები და ახსნა-განმარტებანი, მოითხოვოს რევიზია და ა. შ.

ს. ზ-ის ამოცანებს და ფუნქციებს განსაზღვრავს „კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (1979).

ა. ფალიაშვილი.

საპროლეგნიასანაირნი (Saprolegniales), უმდაბლესი სოკოების რიგი ოომიცეტების კლასისა. კარგად განვითარებული უუჯრედო მიცელიუმი აქვთ. მისი წვრილი ჰიფები რიზოიდების საშუალებით სუბსტრატშია ჩაშვებული. უსქესო გამრავლების ორგანო ზოოსპორანგიუმია, სქესობრივისა — ოოგონიუმი და ანთერიდიუმი. უფრო ცნობილი გვარებია საპროლეგნია (Saprolegnia) და ახლია (Achlya), რ-ებიც საპროფიტულად ცხოვრობენ მწერების ლეშზე ან პარაზიტობენ თევზის ქვირითსა და დასუსტებულ თევზებზე, ხშირად იწვევენ მათ სიკვდილს.

საპროპელი (ბერძნ. sapros — დამპალი და pēlos — ლამი, ტალახი), მტკნარი წყალსატევების ლამიანი დანალექი, რ-იც დიდი რაოდენობით შეიცავს ორგ. ნივთიერებებს. იყენებენ ტალახით მკურნალობისას.

საპროფაგები (ბერძნ. sapros — დამპალი და phagos — შთამნთქმელი), ცხოველები, რ-ებიც სხვა ცხოველთა ლეშით იკვებებიან. ასეთებია აფთარი, სვავი, ყორანი, ლეშიჭამია და ტყავიჭამია ხოჭოები, ხორცისა და ლეშის ბუზების მატლები; წყლის ცხოველებიდან ზოგი კიბოსნაირი (განსაკუთრებით ფსკერის გვერდულები, მდინარის კიბოები). ს-ს ნაწილობრივ მტაცებელი და ყველაფრისმჭამელი ცხოველებიც განეკუთვნება. ლპობადი ნარჩენების მოსპობით ს. სანიტრის როლს ასრულებენ.

საპროფიტები (ბერძნ. sapros — დამპალი და phyton — მცენარე), მცენარეები, რ-ებიც იკვებებიან მკვდარი ორგანიზმების ორგანული ნივთიერებებით ან ცოცხლის გამონაყოფით. კვების ტიპის მიხედვით განეკუთვნებიან *ჰეტეროტროფულ ორგანიზმებს*. ს. *აუტოტროფულ ორგანიზმებთან* ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დედამიწაზე ნივთიერებათა წრებრუნვაში; ისინი მცენარეთა და ცხოველთა ნაშთს წყლად, ნახშირორჟანგად, ამიაკად და სხვ. არაორგ. შენაერთებად გარდაქმნიან. ს. გვხვდება მეტწილად ბაქტერიებში, აქტინომიცეტებსა და სოკოებში. წყალმცენარეებიდან ტიპური ს-ია პოლიტომა (ქლამიდომონასისებრთა ოჯახი), პროტოთეკა (პროტოკოკუმისებრთა ოჯახი) და სხვ. ყვავილოვნებიდან ს-ს ხშირად აკუთვნებენ მსხალიჭამასებრთა ჯადვარისებრთა და სხვ. ოჯახის მცენარეებს, რ-ებიც უფრო მიკროტროფულ პარაზიტულ მცენარეებად უნდა ჩაითვალოს.

საპროცესო გარანტიები, კანონით დადგენილი სამართლებრივი საშუალებები მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საბჭ. კანონმდებლობა აწესებს მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის მინიჭებული უფლებების რეალური განხორციელების სათანადო პირობებს. ს. გ-ის სისტემა დემოკრ. პრინციპებისა და ინსტიტუტების, საპროცესო ფორმებისა და სამართლებრივ ურთიერთობების, საბჭ. სამართალწარმოების დადგენილი წესების ერთიანი კომპლექსია. ს. გ-ის მიზანია ჭეშმარიტების დადგენისა და მართლმსაჯულების სწორად განხორციელების უზრუნველყოფა. საბჭ. სამართალწარმოებაში მართლმსაჯულების გარანტიებს ეკუთვნის ის საშუალებანიც, რ-ითაც უზრუნველყოფილია პროცესში მონაწილე მოქალაქეების უფლებები და ინტერესები. მოქალაქეთა უფლებები და ა. უფლებათა განხორციელების გარანტიებს მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია. მაგ., სსრ



სტ. *სამკურნალო მცენარეები.* **1.** კოთხუჯა, 1ა — ყვავილედი; **2.** სამკურნალო ტუხტა, 2ა—ფესვისა და ფესვები; **3.** ბელადონა; **4.** კატაბალახა, 4ა—ფესურა ფესვებითა და ყლორტის ძირით; **5.** წითელი კუნელი, 5ა—ნაყოფი; **6.** უკვდავა; **7.** შროშანა, 7ა — ნაყოფი; **8.** ყვითელი ცხვირისატეხელა; **9.** ქაცვი; **10.** კულმუხო, 10ა — ფესვები; **11.** ვირისტერფა, 11ა—ფოთლები; **12.** წითელი ფუტკრა; **13.** სამკურნალო გვირილა, 13ა—კალათა ყვავილედის სიგრძივი ჭრილი; **14.** რიხტერის მლაშობურა (ნაყოფიანი ტოტი), 14ა—აყვავებული ტოტი, 14ბ—ყვავილი; **15.** ასკილი, 15ა—ნაყოფი; **16.** სამკურნალო სალბი.



სტ. სამოთხის ფრინველისებრნი. სამოთხის ფრინველები: **1.** ლაბადიანი სამოთხის ფრინველი; **2.** ლურჯი სამოთხის ფრინველი; **3.** წითელი სამოთხის ფრინველი; **4, 5.** დიდი სამოთხის ფრინველი; **6.** კუდაფცა სამოთხის ფრინველი; **7.** სამეფო ლოფორინა; **8.** ნისკარტნამგალა სამოთხის ფრინველი; **9.** ექვსფრთიანი ლოფორინა; **10.** საუცხოო ლოფორინა; **11.** ორკომპლიანი სამოთხის ფრინველი. (1—3, 5—11—მამლები. 4—დედალი).

კონსტიტუციით დადგენილია პრინციპი პიროვნების ხელშეუხებლობის (მ. 54) შესახებ, რის საფუძველზეც მოქალაქეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სახელმწ. ორგანოებს ამ პრინციპების დაცვა. ეს წარმოშობს სახელმწ. ორგანოებისა და თანამდებობის პირების ვალდებულებას უზრუნველყონ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებათა განხორციელება. სწორედ ამ ვალდებულების შესრულება წარმოადგენს აღნიშნულ უფლებათა გარანტიას. ასეთი გარანტიაა, მაგ., სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში გათვალისწინებული მუხლები იმის შესახებ, რომ არავინ არ შეიძლება მიეცეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, თუ საამისოდ არ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი და წესი (მ. 4) ან კიდევ, პროკურორი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი (მ. 6) და სხვ. *მ. ლეკვეიშვილი.*

საპუნოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე [17 (29). XII. 1880, მოსკოვი, — 14 (27). VI. 1912, ტერიოკი, ახლანდ. ზელენოგორსკი, ლენინგრ. ოლქი], რუსი ფერმწერი და სცენოგრაფი. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1893—1901). გამოფენა „გოლუბაია როზა“ მონაწილეობდა ვ. მეიერხოლდის „სიმბოლური თეატრის“ შექმნაში.

საპყრობილე, შრომა-გასწორების დაწესებულების ერთ-ერთი სახეობა. ს-ში მოთავსება სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ყველაზე მკაცრი ფორმაა. სასამართლოს განაჩენით, თავისუფლების აღკვეთა ს-ში მოთავსებით შეიძლება დაენიშნოს განსაკუთრებით საშიშ *რეციდივისტს*, იმ პირს, რ-მაც 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ჩაიდინა განსაკუთრებით *საშიში სახელმწიფო დანაშაული* ან სხვა მძიმე დანაშაული, რისთვისაც მიესაჯა



პ. სარასატე.

ნობით და მონაწილეობით ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის პასუხად. კოსოვოს ველზე თურქების მიერ სერბ.-ბოსნიის ჯარების განადგურების (1389) გამო ეროვნ. გლოვის და რელიგიური დღესასწაულის „წმინდა ვიტის“ დღეს ავსტრ. საოკუპაციო ჯარების მანევრების დანიშვნას აშკარად პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა. ს. მ. ავსტრია-უნგრეთმა სერბიაზე თავდასხმის საბაბად გამოიყენა, რაშაც სათავე დაუდო I მსოფლიო ომის (1914—18) დაწყებას. *ი. კობახიძე.*

სარავაკი (Sarawak). შტატი მალაიზიაში, კ. კალიმანტანის ჩრდ.-დას. ნაწილში. ესაზღვრება ბრუნეის და ინდონეზიას. ფართ. 124,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,3 მლნ. კაცი (1980). ადმ. ც. — ქ. კუჩინგი. სამხრ. ჩინეთის ზღვის სანაპიროს გაყოლებით ალუვიური დაბლობია, შიგა რ-ნებში — მთები (სიმაღლე 2400 *მ*-მდე). ჰავა ეკვატორულია, სამ. წლ. ტემპ-რა 26—28°C. ნალექები 4000 *მმ*-მდე წელიწადში. ტერიტ. დიდი ნაწილი დაფარულია მარადმწვანე ეკვატორული ტყით. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 75% დახაქმებულია სოფ. მეურნეობაში. საექსპორტოდ აშენებენ კაუჩუკოვნებს, პილპილს, ქოქოსის პალმას. მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი. განვითარებულია მეღორეობა. თევზჭერა. სატყეო მეურნეობა. იღებენ ნავთობს (ნავთობგადასამუშ. ქ-ნაა მირიში), ოქროს, ბოქსიტებს. ხე-ტყის ხერხვა, კვების მრეწველობა. მთავარი ნავსადგურებია კუჩინგი და სიბუ.

ცნობილია, რომ ს-ის ტერიტ. შედიოდა შრივიჯაიის და მაჯაპაჰიტის სახელმწიფოთა გავლენის სფეროში, შემდეგ XVI ს-იდან XIX ს. I ნახევრამდე ეკუთვნოდა ბრუნეის სულთანს. 1841 ს. მიიტაცა ინგლ. ავანტიურისტმა ჯ. ბრუკმა. ს., როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1850 ცნო აშშ-მა, 1864 — დიდმა ბრიტანეთმა. 1888 გახდა ინგლ. პროტექტორატი, 1946—კოლონია. 1963 მალაიზიის ფედერაციაში შევიდა როგორც შტატი.

სარაი-ბერძე, ახალი სარაი (ახლანდ. სოფ. ცარიოვი, ლენინსკის რ-ნი, ვოლგოგრადის ოლქი), ქალაქი, *ოქროს ურდოს* დედაქალაქი. ააგო ბერქა-ყაენმა (დაახლ. 1260). 1395 დაანგრია *თემურლენგმა.*

სარაინდო აღზრდა, ფეოდალთა ვაჟიშვილების აღზრდის სისტემა შუა საუკუნეების დას. და ცენტრ. ევროპაში. 7 წლამდე ბავშვები შინ იზრდებოდნენ, შემდეგ მთავარი ფეოდალის კარზე გადაყავდათ, სადაც 14 წლამდე ისინი პაჟის მოვალეობას ასრულებდნენ. 21 წლამდე სიუზერენის საჭურველთმტვირთველნი იყვნენ. ამ პერიოდში ახალგაზრდა უნდა დაუფლებოდა „შვიდ სარაინდო სიქველეს“: ნადირობას, ცხენოსნობას, ცურვას, ფარიკაობას, მშვილდოსნობას, შაშის თამაშს, ლექსების თხზვასა და სიმღერას; აგრეთვე სარაინდო ზნეობის ისეთ თვისებებს, როგორიცაა მამაცობა, ხასიათის სიმტკიცე, ერთგულება, კეთილშობილება, თავაზიანობა. სასულიერო პირები მომავალ რაინდებს ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და საღვთო რჯულს.

ს. ა-მ დადებითი როლი ითამაშა კულტ. ჩვევებისა და, განსაკუთრებით ქალებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების აღზრდის საქმეში. რაინდობის, როგორც სოც. მოვლენის, მოსპობის შედეგად ს. ა. შეწყდა. *ვ. გაგუა.*

სარალარი (ყოფ. ხეობა), სოფელი ბოლნისის რ-ნში (ბოლნისის საქალაქო საბჭო), მდ. მაშაველრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 690 *მ*, ბოლნისიდან 3 *კმ*. ბოლნისის მსხვ. რქ. საქონლის სასუქი კომპლექსი, რვაწლ. სკოლა.

სარალი, მარნეულის რ-ნის სოფლების *ზემო სარალისა* და *ქვემო სარალის* ძვ. სახელწოდება.

სარაჯიძე ზურაბ გიორგის ძე (დ. 11. XII. 1932, სოფ. ახალდაბა, ბორჯომის რ-ნი), ხარატი, სოციალისტური შრომის გმირი (1977), სკკპ წევრი 1959-იდან. 1977 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. 1951—53 მუშაობდა კიროვის სახ. თბილ. ჩარხთაშენ ქ-ნაში, 1956—60 — ახალდაბის საავეჯო ქ-ნაში, 1960—79 თებ-მდე კიროვის სახ. ქ-ნაში ხარატად, 1979-იდან დღემდე მანქანათმშ. მუშაკთა პროფკავშირების რესპ. კომიტეტის თავრეა. 1963 მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის, ხოლო 1968 სსრკ ჩარხთმშენებლის წარჩინებული ხარატის წოდება. სკკპ XXIV და XXV ყრილობების დელეგატი, სსრკ VIII და IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი (1970—79). საქართვ. პროფსაბჭოს მდივანი საზ. საწყისებზე (1972), დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სარანდი ჩარხი, *ლითონსაჭრელი ჩარხი*, რ-იც სარანდი საჭრისით ამუშავებს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ, დახრილ ბრტყელ და მოყვანილ ზედაპირებს. განასხვავებენ განივსარანდსა და გრძივსარანდ ჩარხებს. ს. ჩ-ში მთავარი მოძრაობა სწორხაზოვანია. განივსარანდ ჩარხში უკუქცევით-წინსვლით მოძრაობას ასრულებს ცოცია სუპორტზე დამაგრებული საჭრისი, გრძივსარანდ ჩარხში — მაგიდაზე დამაგრებული ნამზადი; წინსვლითი მოძრაობა მუშა მოძრაობაა და შენელებულია (მიმდინარეობს ჭრა), უკუსვლითი — უქმი და აჩქარებულია. ს. ჩ-ში მიწოდების მოძრაობა პერიოდულია, ხორციელდება უქმი სვლის ბოლოს მთავარი მოძრაობის მართობულად. განივსარანდ ჩარხზე ამუშავებენ მცირე და საშ. ზომის ნამზადებს, გრძივსარანდზე — შედარებით მსხვილსა და გრძელ ნამზადებს. ს. ჩ-ს იყენებენ ინდივიდ. და წვრილსერიულ წარმოებაში (მცირე მწარმოებლურობის გამო).

ხის დასამუშ. ს. ჩ-ს (რეისმუსული, საშალაშინებელი და სხვ.) იყენებენ ხის ნაკეთობათა დასამუშავებლად. მისი მთავარი მუშა ნაწილია საფრეზავი იარაღი, რ-იც ასრულებს ბრუნვითს მოძრაობას. *კ. ნუცუბიძე.*

სარანი, ქალაქი (1954-იდან) ყაზ. სსრ ყარაღანდის ოლქში. ყარაღანდიდან 15 *კმ*. 60 ათ. მცხ. (1983). ქვანახშირის მოპოვების დიდი ცენტრი ყარაღანდის ქვანახშირის აუზში. მამდიდრებელი ფ-კები, რეზინტექ. ნაწარმის, სალტეშესაკეთებელი, რკინაბეტონის ნაწარმთა, აგურის ქ-ნები. პედსასწავლებელი.

სარანსკი, მორდ. ასსრ დედაქალაქი. მდებარეობს მდ. ინსარის (ვოლგის აუზი) მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური რუზაევკა—ყაზანის ხაზზე. საავტ. გზების კვანძი. 293 ათ. მცხ. (1983). დაარსდა 1641 როგორც ციხესიმაგრე რუს. სამხრ.-აღმ. საზღვარზე. 1651-იდან სამაზრო ქალაქია. 1670 ს. *რაზინის* რაზმების საყრდენი პუნქტი იყო. 1774 ქალაქის მოსახლ. მხარს უჭერდა ე. *პუგაჩოვს*. 1893 ს-ზე გავიდა სარკინიგზო ხაზი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 5(18) დეკ. 1928-იდან ს. მორდ. ნაციონალური ოკრუგის ცენტრია, 1930-იდან — ავტონ. ოლქისა, 1934-იდან კი — ასსრ-ის დედაქალაქი. განვითარებულია ელექტროტექ., მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., ქიმ., ქიმ.-ფარმაცევტული, მსუბუქი, კვების მრეწველობა. საშენ მასალათა საწარმოები. 2 თეატრი. ხუროთმოძღვრული ძეგლები: იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია (1693), ე. წ. „პუგაჩოვის კარავი“ (XVII ს. დასასრულის შენობა). საბჭ. პერიოდში ქალაქი რეკონსტრუირებულ იქნა. აშენდა დრამ. თეატრი (1961, არქიტ. ს. გელფერი), საცხოვრ. კვარტალები. ს-ში ბევრი ძეგლია: ვ. ი. ლენინის (ბრინჯაო, გრანიტი, 1960, მოქანდაკე ნ. ტომსკი), პოეტ. ა. პოლეჟაევის (ჭედური სპილენძი, მოქანდაკე მ. კოჟინა) და სხვ. აქ არის *მორდეეთის უნივერსიტეტი*, პედ. ინ-ტი, ელექტრონული ხელსაწყოების, ელექტრომექან., მანქანათსაშ., კოოპ. ტექნიკუმები, სამედ. და სამუსიკო სასწავლებლები. ენის, ლიტ-რის, ისტ. და ეკონ., ა. ლოდიგინის სახ. სინათლის წყაროების და სხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტები. სურათების გალერეა, რესპ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მოქანდაკე ს. ერზიას ნაწარმოებთა მუდმივი გამოფენა. მუს. კომედიის, დრამ. და თოჯინების თეატრები. ტელეცენტრი.

სარაპული, ქალაქი უდმ. ასსრ-ში, მდ. კამის მარჯვ. ნაპირზე. იჟევსკიდან 63 *კმ*. სარაპულის რ-ნის ცენტრი. დიდი ნავსადგური. 109 ათ. მკხ. (1983). ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწვ. ძვ. ცენტრი. განვითარებულია აგრეთვე მანქანათსამ., ლითონდასამუშ., ხე-ტყის დასამუშ., საშენ მასალათა და კვების მრეწველობა. იჟევსკის მექანან. ინ-ტის საღამოს ფილიალი, 4 ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. დრამ. თეატრი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სარასატე, ი ნ ა ვ ა ს კ უ ე ს ი (Sarasate y Navascuéz) პაბლო მარტინ მელიტონ (10. III. 1844, პამპლონა, — 20. IX. 1908, ბიარიცი), ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი. სწავლობდა პარიზის კონსერვატორიაში (მევიოლინე ჟ. დ. ალართან). კონცერტებს მართავდა ბავშვობიდან, 1860-იანი წწ. დასაწყისიდან—მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მ. შ. რუსეთშიც (პირველად 1876). ს. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მევიოლინე ვირტუოზი იყო. მისი შესრულება გამოირჩეოდა მღერადობით, სინატიფითა და ტექ. სრულყოფით. ასრულებდა თავისი თანამედროვე კომპოზიტორების სავიოლინო ნაწარმოებებს, რ-თაგანაც ბევრი საგანგებოდ მისთვის იყო დაწერილი (ე. ლალოს „ესპანური სიმფონია“, კ. სენ-სანსის „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო“ და მე-3 კონცერტი). ს. ამავე დროს მრავალი სავიოლინო პიესის ავტორია, მ. შ. აღსანიშნავია „ბოშური ჰანგები“ და „ესპანური ცეკვები“.

ლიტ.: Ямпольский И., Пабло Сарасате, «Советская музыка», 1958, № 11.

სარატოვი, ქალაქი, რსფსრ სარატოვის ოლქის ცენტრი, მდ. ვოლგის მარჯვ. ნაპირზე, დიდი სამდ. ნავსადგური. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 887 ათ. მკხ. (1983). დაარსდა 1590 როგორც ქალაქ-სიმაგრე. 1708-იდან იყო ჯერ ყაზანის, შემდეგ ასტრახანის გუბ., 1780-იდან — სამეფისნაცვლოს, ხოლო 1797-იდან—სარატოვის გუბ.-ცენტრი. XIX ს. 70-იან წლებში ს-ში მოქმედებდა ხალხოსანთა წრეები. პირველი ს.-დ. წრეები აღმოცენდა 1898; 1901 ჩამოყალიბდა ს.-დ. კომიტეტი. 1905 დეკ-ში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 27 ოქტ. (9 ნოემბ). 1928-იდან ქვემო ვოლგის, 1934-იდან სარატოვის მხარის, 1936-იდან საოლქო ცენტრია.

ს. დიდი სამრეწვ. და კულტ. ცენტრია. განვითარებულია მანქანათსაშ., ნავთობგადასამუშ., ქიმ., საშენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. საავიაციო, პოლირებული და ტექ. მინის ქ-ნები, პოლიგრ. კომბინატი.

ს-ის ცენტრ. რ-ნები რეგულარულად არის დაგეგმარებული 1810 გენ. გეგმით. თანამედროვე ს. 30 *კმ*-ზეა გაჭიმული ვოლგის სანაპიროზე. ხუროთმოძღვრული ძეგლები: სამების ტაძარი (1689—95, ნარიშკინული სტილი), კლასიცისტური სტილის სამოქალაქო და საცხოვრ. შენობები, დახურული ბაზარი (1910—15, არქიტ. ვ. ლიუბშინი, „მოდერნის“ სტილი). საბჭ. პერიოდში ს-ის რეკონსტრუქცია ტარდება გენ. გეგმების მიხედვით (1952; 1974). შეიქმნა ახ. რ-ნები, კეთილმოწყობილი გახდა ვოლგის სანაპირო. ძეგლები: „1905 წლის რევოლუციის მებრძოლთა“

გრანიტი, 1925, მოქანდაკე ბ. კოროლიოვი), „1917 წლის სოციალისტური რევოლუციის მებრძოლთა“ (ცემენტი, 1957, მოქანდაკე ვ. პერფილოვი), ვ. ი. ლენინისა (ბრინჯაო, 1970, მოქანდაკე ა. კიალნიკოვი, არქიტ. ი. მენიაკინი) და სხვ. ში არის 10 უმაღლესი სასწავლებელი: ნ-ტი, კონსერვ., პოლიტექ., სას.-სამ., ოვეტ., სოფ. მეურნ. მექანიზაციის, კონ., იურიდ., სამედ. და პედ. ინ-ტები; 2 სამ. სპეც. სასწავლებელი. მხარეთცოდნეობისა და ა. რადიშჩევის სახ. სამატვრო მუზეუმები, ულიანოვების ოჯახის ემორიალური ბინა-მუზეუმი, ნ. ჩერნიშევსკის სახლ-მუზეუმი. ოპერისა და ბალეტის, დრამ., მოზარდ მაყურებელთა და ოჯახინების თეატრები, ცირკი, ფილარმონია. ს-ის მიდამოებში 5 სანატორიუმია.

სარატოვის ოლქი, რსფსრ შემადგენლობაში. 1934 წ. 10 იანვ. შეიქმნა სარატოვის მხარე, 1936 წ. 5 დეკ-იდან — ს. ო. ართ. 100,2 ათ. *კმ*², მოსახლ. 2596 ათ. აცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 3%. ცენტრი — ქ. სარატოვი. ს. ო. მდებარეობს ქვემო ვოლგისპირეთში. მარჯვენაპირეთის უმეტესი ნაწილი *ვოლგის ორა მაღლობს* უკავია, ოლქის სამხრ.-ღმ. ნაწილში *კასპიისპირა დაბლობია*, ღმ. საზღვარი ობშჩი-სირტის *ჯალთებზეა*. ავარი მდინარეა ვოლგა (420 *კმ* ოლქის არგლებში), რ-ზედაც გაშენებულია ოლგოგრადისა და სარატოვის წყალსაცავები. დას. ნაწილში მიედინება ხოპიორი, დვედიცა, იღოვლია (დონის მარცხ. შეკადები). ტერიტ. დიდი ნაწილი სტეპის ონაშია, ტყეს 5% უკავია (თელა, მუხა, ჩყი და სხვ.). განვითარებულია ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშ., ლითონდასამუშ., ქიმ. და ნავთობქიმ., საშენ მასალათა, ხე-ტყის სახერხი და ხის დასამუშ., ქუმუქი, კეების მრეწველობა. ს. ო. სსრკ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სას.-სამ. რ-ნია. მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი, ფეტვი, რი, შვრია, სიმინდი, ტექ. კულტურები-ან — უმთავრესად მზესუმზირა. მისდევენ მებოსტნეობას, მებაღეობას, მეკარტოფილეობას. მეცხოველეობა სარძეო და ხორცე მიმართულებისაა. სანაძსნოა ვოლგა და დიდი ირგიზი. მთავარი ნავსადგურებია და ნავმისადგომებია სარატოვი, ბალაკოვო, ვოლსკი, ენგელსი, ხვალინსკი. ლქი დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით (1956, 1970).

რატოვის ოპერისა და ბალეტის ეატრი ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს სახელობისა, გაიხსნა 1933. საოპერო ტრეპრიზები სარატოვში არსებობდა 75-იდან. 1918—20 მუშაობდა საოპერო ელექტივი — ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახ. რატოვის ოპერა, 1928—33 — საოპერო-ბალეტო დასი. რეპერტუარში ფართოდაა წარმოდგენილი მსოფლიო და რუსული კლასიკა, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები (1937, პირველად რუსულ სცენაზე, დაიდგა ზ. ფალიაშვილის „დაისი“). 1970-იან წწ. თეატრის დასში იყვნენ მომღერლები: რსფსრ სახ. არტისტები ო. ბარდინა, გ. სტანისლავოვა, ი. პოპოვი, რსფსრ დამს. არტისტები ა. რუდესი, ა. საბადაშევი, ბაშკ. დამს. არტისტი ნ. ბრიაცკო, ბალეტის სოლისტები ნ. ბესჩოტნოვა, ტ. კამიშნიკოვა, ს. კუბასოვა, ნ. ტროფიმოვა, გ. ალბერტი, მ. ბეზზუბიკოვი და სხვ. მთავარი დირიჟორი—ი. კოჩნევი, მთავარი რეჟ.—ა. პოჩიკოვსკი, მთავარი ბალეტმაისტერი—ა. პანტიკინი, მთავარი ქორმაისტერი—რსფსრ დამს. არტისტი ა. დობრომისროვა, მთავარი მხატვარი—ა. კარიუკოვი. 1962 თეატრი გადავიდა ახ. შენობაში (მაყურებელთა დარბაზი 1200 კაცს იტევს).

სარატოვის უნივერსიტეტი ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს სახელობისა, დაარსდა 1909 წ. 1983 უნ-ტში იყო მექან.-მათ., ფიზ., ქიმ., ბიოლ., გეოგრ., გეოლ., ისტ., ფილოლ. ფაკ-ტები, სალამოს, დაუსწრებელი სწავლებისა და მოსამზადებელი განყ-ბები, ასპირანტურა, 63 კათედრა, პრობლემური ლაბორატორია, გამოთვლითი ცენტრი, მექან. და ფიზ., გეოლ., ქიმ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, ბოტან. ბაღი, ბ-კა (2,5 მლნ. დაცვითი ერთეული), გამომცემლობა. უნ-ტში სწავლობდა 9,5 ათ-მდე სტუდენტი, მუშაობდა 2,1 ათ-მდე მასწავლებელი. უნ-ტს აქვს სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვისთვის მიღების უფლება.

სარატოვის წყალსაცავი, წყალსაცავი მდ. ვოლგაზე, რსფსრ ულიანოვსკის, კუიბიშევისა და სარატოვის ოლქებში. შექმნილია სარატოვის ჰესის კაშხლით. აიგსო 1967—68. ფართ. 1831 *კმ*², მოცულობა 12,9 *კმ*³, სიგრძე 357 *კმ*, მაქს. სიგანე 25 *კმ*, საშ. სიღრმე 7 *მ*. აწესრიგებს მდ. ვოლგის ჩამონადენს. შეიქმნა ენერგეტ., წყლის ტრანსპ., სამრეწვ. და კომუნ. წყალმომარაგების მიზნით, თევზჭერა. წყალსაცავის ნაპირზეა ქ-ები: კუიბიშევი, ჩაპაევსკი, სიზრანი, ხვ. ლოინსკი, ბალაკოვო.

სარაული მიხეილ სპირიდონის ძე (8. XII. 1891, სოფ. მეჯვრისხევი, გორის რ-ნი,—10. III. 1953, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. მხატვარი-კარიკატურისტი. საქ. სსრ დამს. არტისტი (1939). მოღვაწეობა დაიწყო 1910-იდან თბილ. ქართ. და დრამ. თეატრში. 1922—26 ქუთ., 1926—28 — შოთა რუსთაველის სახ., ხოლო 1928-იდან კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. როლები: დე სანტოსი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), გლახა ჭრიაშვილი („ჩატეხილი ხიდი“, ი. ჭავჭავაძის მიხედვით), ოსიპი (გოგოლის „რევიზორი“), დანიელ ბეგი (ი. ვაკელის „შამილი“), მეჯღანუაშვილი (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), კაცია მუნჯაძე (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“) და სხვ. ს. იყო თბილისის თოჯინების სახელმწ. თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. აქ მან დადგა ს. ფედორჩენკოს „ჭუჭრუტანაში გავიჭვრები, ჩემსას მაინც გავხდები“). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით. *შ. ცუცქირიძე.*

სარაფანოვი გენადი ვასილის ძე (დ. 1. I. 1942, სოფ. სინენკიე, სარატოვის რ-ნი, სარატოვის ოლქი), სსრკ კოსმონავტი მფრინავი, საბჭ. კავშირის გმირი (2. IX. 1974). სკკპ წევრი 1963-იდან. 1964 დაამთავრა ბალაშოვის უმაღლესი სამხ.-საავიაციო სასწავლებელი. 1965-იდან კოსმონავტთა რაზმშია. 1974 წ. 26—28 აგვ. ლ. *დიომინთან* ერთად იფრინა კოსმოსში ხომალდ „სოიუზ-15-ით“. იყო ხომალდის მეთაური. ფრენისას ამუშავებდა სადგურ „სალუტ-3-თან“ დაახლოების პროცესს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



გ. სარაფანოვი.


სარაჭონი, სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში (კირცხის სოფსაბჭო), მდ-ების ხობისწყლისა და ჭანისწყლის შუამდინარეთში. ზ. დ. 220 *მ*, ჩხოროწყუდან 6 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სარაჯლო, სოფელი ბოლნისის რ-ნში, მდ. საღმაღანისწყლის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ზემო ქოშაქილისი, პატარა აპმედლო, ქვემო ქოშაქილისი). ზ. დ. 510 *მ*, ბოლნისიდან 22 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ*. მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭ. მეურნეობა. ქვის კარიერი. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სოფლის მახლობლად ნასოფლარ მანუტთან დგას 2 დარბაზული ეკლესია (VI—VIII სს.). ქვედა ეკლესია ძარღვიანი ყვითელი ქვის სუფთად გათლილი დიდრონი კვადრებით არის ნაგები. შემკულია მოჩუქურთმებული სვეტისთავებით. ზედა უფრო ჩადაა, ორივე ეკლესიას, ისევე როგორც ბოლნისის სიონს, კარების თავზე ღია ლუნეტები აქვს გაკეთებული. მოშორებით დგას მესამე ეკლესია (X ს.).

სარაცენიასებრნი (Sarraceniaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მწერიჭამია მრავალწლოვანი ბალახებია. მხოხავი ფესურა და დოქისებრი ან მილისებრი ფოთლები (ასციდიები) აქვთ, რითაც იჭერენ მწერებს და სხვა პატარ-პატარა ცხოველებს. კაშკაშად შეფერილი ფოთლები მოფენილია ჯირკვლებით, საიდანაც გამოიყოფა ნექტარი. მათი ყვავილები დიდია, მარტოული ან მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი კოლოფია, იხსნება საგდულებით. 17-მდე სახეობას აერთიანებს 3 გვარი: სარაცენია (Sarracenia), დარლინგტონია და ჰელიამფორა (Heliamphora), ს. გავრცელებული არიან ჩრდ. ამერ. ტენიან ტყეებსა და ჭაობებში, ჰელიამფორა (6 სახეობა)—სამხრ. ამერ. ჩრდ. ნაწილში.

სარაჯიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე (1851, თბილისი, — 1. VII. 1914, იქვე), ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. სხვადასხვა დროს სწავლობდა პეტერბ., ყაზანისა და კიევის უნ-ტებში. 1873-იდან გაემგზავრა პარიზში. იქ დაუახლოვდა ნ. *ნიკოლაძეს*, ს. *მესხს*, დ. *მიქელაძეს* და სხვ.


სარატოვის ოლქი
ს ა რ ა ტ ო ვ ი ს ო ლ ქ ი ს
ულიანოვსკის ოლქი
უ კ რ ა ი ნ ი ს ო ლ ქ ი
ბალაკოვო
ვოლსკი
ენგელსი
ხვალინსკი
ბალაშოვი
ერშოვი
ივანტეევკა
პუგაჩოვი
პეტროვსკი
რტიშჩევო
ტატიშჩევო
ბალაკოვო
ნოვოე-ბურასი
ბურასი
ბალაშოვი
ბალაკოვო
ბალაშოვი
ბალაკოვო
ბალაშოვი
ბალაკოვო



ა. სარაჯიშვილი.



ვ. სარაჯიშვილი.



პ. სარაჯიშვილი.

იმავე წლის ბოლოს გადავიდა ჟენევაში, სადაც სზ-ბა „ულლის“ მდივნად აირჩიეს. 1876 დაამთავრა ჟენევის უნ-ტის სიტყვიერების ფაკ-ტი და დაბრუნდა სამშობლოში. ამავე წელს ქართ. სიძველეთა ძეგლების გამომცემელთა წრის აქტ. წევრი გახდა. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო გაზ. „დროებაში“. 1879-იდან იყო თეატრ. კომიტეტისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სზ-ბის წევრი, მოგვიანებით — მდივანი. 1884 ი. ჭავჭავაძესთან და პ. *უმიკაშვილთან* ერთად გამოსცა „ვისრამიანის“ ტექსტი. 1887-იდან აქტიურად თანამშრომლობდა გაზ. „ივერიაში“. 1901-ის დეკ-იდან (№ 264) ამავე გაზეთის ჯერ დროებითი რედაქტორი, 1902 — 03 რედაქტორ-გამომცემელი. იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სზ-ბის ერთერთი ფუძემდებელი, ხაზინადარი და ბ-კის გამგე. ჟურნ. „მოამბეში“ (1894—1905) დაიბეჭდა ს-ის რუსთველოლოგიური ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“. XX ს. დასაწყისში თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში: „მეგობარში“, „*ჯეჯილში*“, „*ფაზკუნჯში*“, „მოლაღურში“, „ნიშადურში“, „კლდეში“ და სხვ. ს. შეურიგებლად ებრძოდა საქართვ. ისტ. და მისი წყაროების ფალსიფიკატორებს, მშობლიური ენისა და ისტ. სწავლება ხალხთა თვითშეგნების ზრდისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა. მის პედ. ხასიათის წერილებში ასახულია სას. განათლების მდგომარეობა საქართველოში. საჭიროდ მიაჩნდა სამეურნეო ცოდნისა და ტექ. .სწავლების დანერგვა. ს-ის პუბლიც. წერილებმა ხელი შეუწყო კრიტ. აზროვნების განვითარებას საქართველოში. ს. წერდა „რიშ-ბაბას“ ფსევდონიმით და ინიციალებით: ა. ა—ი, ა—ს, ს...ლი, ა—ს—ი, ს—ია“ და სხვ.

ლიტ.: ფ ე რ ა ძ ე ლ., ალექსანდრე სარაჯიშვილი, თბ., 1983. *ლ. ფერაძე.*

სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (28. X. 1848, თბილისი,—20. VI. 1911, იქვე), ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, საზ. მოღვაწე. ქიმ. და ფილოს. მეცნიერებათა დოქტორი. 1866 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბ. უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტზე. ერთი წელი სწავლობდა მიუნხენის უნ-ტში, შემდეგ კი — ჰაიდელბერგის უნ-ტში, რ-იც 1871 დაამთავრა და მიიღო ქიმ. და ფილოს. დოქტორის ხარისხი. 1872—78 ჰოენჰაიმისა და ჰალეს უნ-ტებში სწავლობდა სას.-სამ. მეცნიერებას. 1878 გაემგზავრა საფრანგეთში მევენახეობისა და მეღვინეობის თეორიული და პრაქტ. საფუძვლების შესასწავლად.

საფრანგეთში ყოფნისას ს. დაინტერესდა კონიაკის წარმოებით. აქ შეძენილმა ცოდნამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართვ. ნიადაგურ-კლიმ. გარემო და ვაზის მრავალი ჯიში კარგ პირობებს ქმნის კონიაკის წარმოებისათვის; 1885 ს-მა თბილისში ააგო კონიაკის ცენტრ. საწყობი, სადაც აძველებდა საკონიაკე სპირტს. 1888 თბილისში შეიქმნა ს-ის კონიაკის ქ-ნა, რ-იც მუშაობდა სამამულო ნედლეულის ბაზაზე. იმავე წელს მისივე ინიციატივით მწყობრში ჩადგა ლიქიორის ქ-ნა. ს-ის ფირმა აერთიანებდა 5 სარექტიფიკაციო, 1 არყის, 1 ლიქიორისა და 7 კონიაკის ქ-ნას, აგრეთვე მრავალ საწყობს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქ-ებში. 1900-თვის ს-ის ფირმამ გამოუშვა 218200 ბოთლი კონიაკი. 1889—1913 ს-ის ფირმის კონიაკმა (განსაკუთრებით „ძველისძეელმა“) და ლიქიორმა რუსეთისა და საერთაშ. დეგუსტაციებსა და გამოფენებზე მიიღო ოქროს (9), ვერცხლის (5) და ბრინჯაოს მედლები. ს-ის ქ-ნის ბაზაზე შეიქმნა თბილ. კონიაკის ქ-ნა. ს-ის სახელი დაკავშირებულია „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის“, სამუსიკო სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სზ-ბისა და სხვა ეროვნ. წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე გ., ღ ლ ო ნ ტ ი თ., ქართველი მეღვინეები, თბ., 1974.

ა. სტეფანიშვილი.

სარაჯიშვილი ვანო (ივანე) პეტრეს ძე [1 (13). V. 1879, სიღნაღი,—11. XI. 1924, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირიკულ-დრამ. ტენორი), საქ. სსრ სახ. არტისტი (1923). 1887-იდან სწავლობდა თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აქვე მღერდა მოსწავლეთა გუნდში (1888—95). 1898 შევიდა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში (ჩელოს კლასი), 1898—1900 ქართ. ხალხ. გუნდის (ხელმძღვ. ს. კაკსაძე) მომღერალი-სოლისტი იყო. 1903 პეტერბურგს გაემგზავრა და სიმღერას სწავლობდა ჯერ ი. პრიანიშნიკოვთან, შემდეგ — ა. პანაევა-კარცევასთან. მისი დებიუტი შედგა 1907 პეტერბურგში [ა. ა. წერეთლის საოპერო დასი (ალფრედი). ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“]. პარალელურად იტალიაში კასტელანოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა *ბელკანტოს* ხელოვნებას (1906—08). გამოდიოდა იტალ. სხვადასხვა ქალაქის თეატრებში და აღიარება მოიპოვა. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ მუშაობა განაგრძო იტალ. დასში. 1908-იდან ცხოვრობდა თბილისში. გამოდიოდა თბილ. საოპერო სცენაზე ევრ. და რუსი კომპოზიტორების ოპერებში, ასრულებდა ქართვ. კომპოზიტორების (მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი და სხვ.) რომანსებს. ჯერ კიდევ 1913 წ. 28 მაისს მონაწილეობა მიიღო ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ახლადშექმნილი ფრაგმენტების შესრულებაში (აბესალომის პარტია). 1916—17 მლეროდა ბაქოში, 1910—20-იანი წწ. ს-ის შემოქმედების აყვავების ხანაა. იგი მონაწილეობდა ზ. ფალიაშვილის ოპერების დადგმებში, მღეროდა აბესალომისა („აბესალომ და ეთერი“) და მალხაზის („დაისი“) პარტიებს. ცნობილია, რომ მალხაზის არია „თავო ჩემო“ ფალიაშვილმა დაწერა და „დაისში“ შეიტანა ს-ის თხოვნით. მოღვაწეობის მთელ მანძილზე ს. სისტემატურად მართავდა კონცერტებს. ასრულებდა ქართვ. და რუსი კომპოზიტორების რომანსებს, ქართ. ხალხ. და ნეაპოლურ სიმღერებს. ს. ქართ. პროფ. ვოკალური ხელოვნ. ერთ-ერთი ფუძემდებელია, ქართ. ხალხის უსაყვარლესი მომღერალი, „საქართველოს ბულბული“, იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ასეთი პოპულარობა მოუხვეჭა მისმა იშვიათი სილამაზის ხმამ, დახვეწილმა ვოკალურმა ოსტატობამ და ნათელმა სცენურმა ნიჭმა. ს-ის რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანი იყო, თანაბარი წარმატებით ასრულებდა როგორც ლირ. ისე დრამ. პარტიებს: შოთა (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), რადამესი (ვერდის „აიდა“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“), ჰერცოგი, ალფრედი (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“), ნადირი (ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), ლენსკი, გერმანი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“), სინოდალი (რუბინშტეინის „დემონი“) და სხვ. გადაღებულია კინოფილმ „მამის მკვლელში“ (1923). მისი ხმა აღბეჭდილია რამდენიმე ტექნიკურად არასრულყოფილ გრამფირფიტაზე.

ს. დაკრძალულია თბილ. ოპერის თეატრის ბაღში. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბილ. სახელმწ. კონსერვატორიას (1947), ერთ-ერთ ქუჩას თბილისში. ქ. სიღნაღში მაისის თვეში ყოველწლიურად ეწყობა მომღერლისადმი მიძღვნილი ზეიმი — „ვანობა“.

ლიტ.: ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ი., თეატრი და მუსიკა, ლიტერატურული პორტრეტები, ნარკვევები მუსიკაზე, ტ. 1, 1972; კ ა შ მ ა ძ ე შ., ვანო სარაჯიშვილი, გამოც. მე-2, თბ., 1962; მ ი ს ი ვ ე, გადავხილე სალამური, თბ., 1957; მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ქართველ მომღერალთა სამი თაობა, თბ., 1968.

გ. ტორაძე.

სარაჯიშვილი პეტრე მიხეილის ძე [9. V (22. V). 1894, ქუთაისი, — 11. II. 1984, თბილისი], ქართველი სა ნევროპათოლოგი. მედ. მეცნ. დოქტო (1936), პროფესორი (1937), საქ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1945), სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1967). დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტი სამედ. ფაკ-ტი. 1920-იდან დაიწყო მუშაობა თსუ-ის ნერვული სნეულებათა კლინიკაში. 1924—25 მივლინებული იყო სწავლად მოსკოვში (გ. როსოლიმოს კლინიკაში), 1927—28 — საფრანგეთში (გ. ლენინის კლინიკაში). 1937—61 განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ნევროპათოლოგიის კათედრას. 1958-ი ხელმძღვანელობს თბილ. კლინიკური ექსპერ. ნევროლოგიის ინ-ტს. ს-მა შეიწავლა ეპილეფსიის პათოგენეზი და კლინიკური კლასიფიკაცია, კაროტიდული სინუსის გავლენა თავის ტვინის სისხლის მოქცევაზე; პირველად აღწერა ნეირო-ლიური სინდრომი და სხვ. საქართვ. ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1975-იდან). სსრკ ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზ-ბის საპატიო წევრი; 1968-იდან იუნესკოსთან არსებული ტვინის შემსწავლელი ორგანიზაციის წევრი. დიდი სამედ. და დიდი საენციკლოპედიების 2 გამოცემის რედაქტორ-კონსულტანტი; 1967-იდან ეპილეფსიის კავშ. პრობლემური კომისიის თავ-რე. სხვ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თხზ.: ნერვული სისტემის ინფექციური ავადებანი ბავშვთა ასაკში, თბ., 1962 (თანაავტ.: თ. გოკიელი).

სარაჯული ცხვარი, ნახევრად უხშო ლიანი, დუმიანი ცხვრის ჯიში. სახ ეწოდა სამხრ.-აღმ. თურქმენეთში მდ რე აულის სარაჯის მიხედვით. გამოყვ ლია ადგილ. დუმიანი ცხვრების ხანგრძ ვი გადარჩევის გზით. აქვს საშ. ზომის მა. ერკემალი 90—100 *კგ*-ზე მეტია, ნ კი — 50 — 75 *კგ*. კარგად ნასუქი ჭედი ნაკლავის გამოსავალია 60%. ს. ც-ის ტყლი თეთრია, კანში ძირითადად დ ლულებული. კულულის სიგრძეა 12—19 თვითკისრის *8 სმ*. ერკემლის მატყ წლ. ნაპარსი 3,7—4,5 *კგ*, ნერბისა 3 3,5 *კგ* შეადგენს. მატყლისაგან ქსოვენ ლიჩებს. 100 ნერბის ნაყოფიერება 1 115 ბატკანია. ს. ც-ის მოშენებას თუ სსრ-ში მისდევენ.

სარბევი, ქვედა პალეოლითის ხანის ტიპის ნაბინარ-სახელოსნო სოფ. კა განაპირას (ჭიათურის საქალაქო საბ ტერიტორია). აღმოჩენილია 1958 თუშაბრამიშვილი). მასალა აკრეფი ზედაპირულად. მოპოვებულია 1500 სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები, კლე ნური და ლევალუაზური ანატკეცი, ლ ლუაზური ფირფიტა, აგრეთვე ხელცუ ბი, სახოკები, კლექტონური ანკო ზურგიანი დანები, წვეტანები. მასალა ანდ. აშელის ეპოქისაა.

დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართვ ხელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირ ხეობაში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ხელმწ. მუზეუმის მოამბე, 1962, ტ. 2

დ. თუშაბრამიშვ

სარბედართა აჯანყება (სპარს. ბედარ — ჩამოხრჩობილი, დასახრჩო სახალხო აჯანყებები ირანსა და შუა ა ში XIV ს-ში მონღ. უღლისა და ადგილ რივი ფეოდალების წინააღმდეგ. პირვ

დი აჯანყება მოხდა 1337 მარტში სოფ. ხონში (ხორასანი). 1337 აგვ. აჯანყებებმა აიღეს ქ. საბზევარი, გაანადგურეს მთაბარე დიდგვაროვან მონღოლ-თათართა ლაშქარი, დაიკავეს ქ-ები ნიშაბური და ტუსი. აჯანყებულთა მეთაურმა ვაჯ ალ-დინ მასუდმა სულთნის ტიტული ღო. XIV ს. 40-იან წლებში აჯანყებუბმა დაამარცხეს უკანასკნელი მონღ. ხანი, 1353 მოკლეს იგი, დაარბიეს მისი დო და თავის სახელმწიფოს შეუერთეს რგანი. ამ დროს სარბედართა სახელმჯო მოიცავდა მთელ დას. ხორასანსა და რგანს. სარბედართა ეს სახელმწიფო პო თემურლენგმა 1381.

1365 ს. ა-მ სამარყანდში იფეთქა ოლისტანიდან (აღმ. თურქესტანი) შეერილ მომთაბარეთა წინააღმდეგ, ბმაც დაამარცხეს სამარყანდის ამირები ალყა შემოარტყეს ქალაქს. სამარყანდის რებმა მოტყუებით შეიპყრეს აჯანყების ძმძღვანელები და აიღეს ქალაქი. 1373 ა. ქერმანში დაიწყო. 1374 აჯანყება ამო შაჰმა შეუჯა მოზაფერიდმა. 1383 ბედართა მნიშვნელოვანი აჯანყება და თემურლენგის წინააღმდეგ საბზეში. თემურლენგმა აიღო და დაანგრია ქალაქი, მოსახლეობა გაჟლიტა.

ბევი, სოფელი თერჯოლის რ-ნში (კვარის სოფსაბჭო), იმერეთის დაბლობზე, ების ყვირილის, რიონისა და წყალწითის შესაყართან. ზ. დ. 100 *მ*, თერჯოდან 40 *კმ*, რიონიდან (უახლოესი რკის სადგ.) 0,5 *კმ*. კვახჭირის მებოსტბა-მოჩვეულობის საბჭ. მეურნეობა. ბ-კა. . სკოლა სოფ. კვახჭირში (4 *კმ*).

ბოლი ავტომობილი, ავტომობილი, ს დანიშნულებაა ჩქაროსნულ შეჯიბრი მონაწილეობა და სიჩქარის რეკორის დამყარება (სარეკორდო-სარბოლი ზეჩქარული ავტომობილები — „ბოლიი"). ს. ა-ის კლასიფიკაცია და ტექ. ბოვნები რეგლამენტირებულია საერ. საავტომობილო ფედერაციის (ფია) რტული კომისიის (ფისიტა) მიერ შესავებული სპორტული კოდექსით და დამატებებით. ს. ა. იყოფა კატეგობად, ჯგუფებად, ფორმულებად. მაგ., ვას მუშა მოცულობისა (*ლ*) და საკუი მასის (*კგ*) მიხედვით ს. ა-ებს ყოფენ რმულებად: 1 (3 ლ-მდე ჩაბერვის გაე და 1,5 ჩაბერვით, არანაკლები 575 სა), 2 (2 ლ-მდე, არანაკლები 500 სა), 3 (2 ლ-მდე, არანაკლები 440 *კგ*. ძირითადი დეტალები სერიულია. ბ-ში იყენებენ მე-4 ფორმულასაც (მოტოლეტის ძრავა 350 *სმ*³-მდე). სარეკორს. ა-ები გამოყოფილია ცალკე კლასად. ორმულის (3 ლ-იანი ძრავები) ს. ა-ების ბრული სიმძლავრეა 125 *კვტ/ლ* (173 /ლ), ხოლო 1,5 ლ-იანისა ტურბოჩაით 300 *კვტ/ლ* (410 *ც. ძ./ლ*), აქვთ რქველი თითო ცილინდრზე. ძირითა. ს. ა-ზე იყენებენ შესაშპაუნებელ მობილობებს. ს. ა-ს აქვს მრავალსაფეიანი (ხუთსაფეხურიანი) ტრანსმისია, ისკოიანი გადაბმულობა, დისკური მუები (ვენტილირებადი); მისი თვლეფერსოები და სალტეები უფრო განიე (400 *მმ*-ზე მეტი), ვიდრე ჩვეულებრივ მსუბუქი მანქანებისა. აქვს ფრთები ბრადობის ასამაღლებელი აეროდინამ. ობილობა).

აზღვარგარეთის ფირმებმა ს. ა-ების ა დაიწყეს 1900 წლის შემდეგ. ს. ა- მწარმოებელი ცნობილი საზღვართული ფირმებია „ლოტუსი" (დიდი ანეთი), „რენო" და „ლიჟიე" (საფეთი), დიდი მწარმოებელია აგრეთვე ჩარის" ქ-ნა (იტალია) და სხვ.

ჩქარის აბსოლ. მსოფლიო რეკორდი ფანი ამძრავის მქონე ს. ა-ებით რბო- — 658,5 *კმ/სთ* (1965; ბ. სამერზი, ს. ა. „ოქროს ღერო"), რეაქტიული ავტომობილებით—1014,3 *კმ/სთ* (1970; გ. გაბელიჩი, აშშ, ს. ა. „ცისფერი ალი"). *გ. ჯაბარიძე.*

სარგასოს ზღვა (Sargasso Sea), ატლანტის ოკეანის ნაწილი, მდებარეობს სუბტროპიკულ განედებში; კანარის, ჩრდ. პასატებისა და გოლფსტრიმის დინებებს შორის (ჩ. გ. 23—35° და დ. გ. 30—68° შორის). ფართ. 6—7 მლნ. *კმ*². წელის ტემპ-რა ზამთრობით 18—23°C, ზაფხულობით 26—28°C. მარილიანობა 36,5—37,0‰. სახელი ეწოდა მის ზედაპირზე დიდი რაოდენობით მცურავი წყალმცენარეების (იხ. *სარგასუმისებრნი*) გამო. ბინადრობს ბევრი თევზი, კიბორჩხალა, ზღვის კუ და სხვ.

სარგასუმისებრნი (Sargassaceae), ზღვის წყალმცენარეების ოჯახი ფუკუსისნაირთა რიგისა. მათი თალუსი ბუჩქისებრია, სიგრძე 1—2 *მ* აღწევს (ზოგისა 10 *მ*-საც). ოოგონიუმებში თითო-თითო კვერცხუჯრედია. 6 გვარი აერთიანებს 150-ზე მეტ სახეობას (ყველაზე დიდი გვარია სარგასუმი), რ-ებიც გავრცელებული არიან თბილ ზღვებში. ატლანტის ოკ. დას. ნაწილში (სარგასოს ზღვა) დატივტივებენ სარგასუმის უზარმაზარი გროვები, რ-ებიც ერთ დროს მოსწყვეტია სუბსტრატს. აქ ისინი ეგეტატიურად მრავლდებიან. სსრკ-ში სარგასუმის გვარის 7 სახეობაა. იყენებენ ალგინატების მისაღებად.

სარგებელი, საფასური, რ-საც კრედიტორი იღებს მსესხებლისაგან სესხად აღებული ფულის სარგებლობისათვის. კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში, ს-ის წყარო იყო წვრილი მწარმოებლების ან მონების ზედმეტი შრომა (იხ. *საკაბშო კაპიტალი*). კაპიტალიზმის დროს ს. წარმოებული ზედმეტი ღირებულების ან მოგების ნაწილია. კაპიტალის მოგება იყოფა ს-ად, რ-საც გამსესხებელი კაპიტალისტი ითვისებს, და მეწარმის შემოსავლად, რ-საც მოქმედი კაპიტალისტი ითვისებს.

სოციალიზმის დროს ს. სოციალ. საწარმოს, იურიდ. ან ფიზ. პირის შემოსავლის ნაწილია. სოციალ. საწარმოები და ორგანიზაციები ს-ს საბანკო სესხით სარგებლობისათვის იხდიან. ბანკებსა და შემნახველ სალაროებში ს. ერიცხება საწარმოების, ორგანიზაციების და მოსახლეობის ფულად ანაბრებს.

სარგებლიანობის ფუნქცია, მათემატიკური ფუნქციის სახე, რ-საც იყენებენ ოპტიმიზაციური ამოცანების გადაწყვეტისას. თუ სისტემის ყოველი X შესასვლელის შესაბამისი Y გამოსასვლელი შეგვიძლია შევაფასოთ მიზნის მიღწევის ოპტიმალური კრიტერიუმების მიხედვით და წარმოვიდგინოთ როგორც სკალარული ფუნქციების ერთობლიობა $Z_1(Y), Z_2(Y),\ldots,Z_k(Y)$, მაშინ აიგება სარგებლიანობის ფუნქცია $\varphi(X)$, რ-იც გამოისახება ექსპერტული შეფასების მიხედვით რანჟირებული $Z_n(X)$ ფუნქციებით. ს. ფ-ის აგების ამოცანა უშუალოდაა დაკავშირებული *მიზნის ფუნქციის* განსაზღვრის საკითხთან.

სარგვეში, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში, მდ. ყარენების (ჩხერიმელის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., საბე, წითელხევი, ხორითი). ზ. დ. 560 *მ*, ორჯონიკიძიდან 10 *კმ*. სარგვეშის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

სარგვეშის ბანძი, III ს. განძი. ნაპოვნია შემთხვევით 1917 სოფ. სარგვეშთან (ორჯონიკიძის რ-ნი). ს. შ. შეიცავს ვერცხლის ბარძიმს, ოქროს სხვადასხვა ფორმის 3 ბეჭედს, თვლებით ინკრუსტირებულ სამაჯურს, ოქროს ხატისულველს და ვერცხლის კოვზს. განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის ბარძიმი, რ-ზეც სასანიანთა დინასტიის მეფეთ მეფე ბაჰრამ (ვარაჰრან) II, მისი მეუღლე და ტახტის მემკვიდრეა გამოსახული. ბარძიმი ჩვენამდე მოღწეული სასანური ტორევტიკის ერთადერთი ნიმუშია, რ-ზეც შაჰისა და მისი ოჯახის წევრების პორტრეტებია მოცემული. თარიღდება 283—293 წლებით. შედგენილობის მიხედვით ს. შ. ქალის სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს.

საქართველოში ბარძიმის მოხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს ირანისა და საქართველოს პოლიტ. და კულტ. ურთიერთობის დასადგენად. განძი დაცულია ს. ჯვარაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, წგნ. 1, თბ., 1963; Луконин В. Г., Культура сасанидского Ирана, М., 1969; Мачабели К. Г., Несколько памятников сасанидской торевтики в Грузии, «Мацне. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1972, № 3; Цоцелия М. В., Из истории взаимоотношений Картли с сасанидским Ираном, Тб., 1975; Tschubinaschwili G., Der Fund von Sargweschi, «Известия Кавказского историко-археологического ин-та», 1925, т. 3. *ზ. წოწელია.*

სარგის I ჯაყელი (გ. 1285), საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XIII ს. II ნახევარში, მეჭურჭლეთუხუცესი, სამცხის (მესხეთის) მმართველი, სპასალარი, 1260 მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტ. მონაწილე იყო. დავით VII ულუმ დანიშნა მონღოლთა ლაშქრის (რ-იც აჯანყების ჩასაქრობად იყო შემოსული საქართველოში) წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ჯარის მეთაურად. ს. I-ს 8000 ცხენოსანი ჰყავდა, მონღოლთა ლაშქარში კი, რ-საც არღუნი მეთაურობდა, 20000 მარტო მონღოლი და ერაყელი მოლაშქრე ირიცხებოდა, რამდენიმე ათასი კი ქართველი იყო. 1260 ტაშისკართან ბრძოლაში ს. I-ის 1500 ცხენოსანმა დაამარცხა არღუნის 6000-იანი მეწინავე ლაშქარი. შემდეგ თვით ს. I დაიძრა მტრის წინააღმდეგ. არღუნი გაქცევას აპირებდა, მაგრამ მის ლაშქარში მყოფმა ქართველებმა შეაკავეს. მთავარი ძალების გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ს. I-ის შეცდომა ის იყო, რომ ბორჯომის ხეობის ვიწროებიდან გამოვიდა და მონღოლებს გაშლილ ველზე შეებრძოლა, სადაც მტერს მანევრირების საშუალება მიეცა. 1261 ს. I წარმატებით იბრძოდა სამცხეში მეორედ შემოსეული არღუნის ლაშქრის წინააღმდეგ. მტერი იძულებული გახდა 20 დღის შემდეგ უკან გაბრუნებულიყო. 1262 ს. I დავით VII-ს ურდოში გაჰყვა ჰულაგუ-ყაენთან და გამოძიების დროს მეფის გადარჩენის მიზნით აჯანყების მოწყობა თვითონ დაიბრალა. გამოძიება არ იყო დამთავრებული, რომ ილხანთა წინააღმდეგ ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ გამოილაშქრა. ს. I-მა მის წინააღმდეგ ბრძოლაში სიმამაცით თავი გამოიჩინა და ჰულაგუ-ყაენი სიკვდილს გადაარჩინა. მადლიერმა ყაენმა მას კარნუ ქალაქი და მისი მომიჯნავე ოლქი უბოძა. ს. I-ის განდიდებით უკმაყოფილო ქართველმა დიდებულებმა მეფესა და ს. I-ს შორის მტრობა ჩამოაგდეს. მეფის მიერ დაპატიმრებული ს. I ყაენმა გაათავისუფ-




სარაჯული ცხვარი (ნერბი).



სარგასუმისებრნი. სარგასუმი.

სარბოლი ავტომობილი. (ფორმულა 1), 1,5 ლ მუშა მოცულობის ტურბოჩაბერვით. საფრანგეთის ფირმა „რენო" (მუქად ნაჩვენებია ტურბოჩაბერვის სისტემის კვანძები).



ლა. ს. I-ის თხოვნით 1266 სამცხე საქართველოს ჩამოშორდა და უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა. ს. I-ის ეს ნაბიჯი საერთო ეროვნ. ინტერესების ღალატს ნიშნავდა: ფაქტობრივად პოლიტიკურად ორად გაყოფილ საქართველოს მესამე ნაწილიც გამოეყო — სამცხე, რ-ის ტერიტ. ტაშისკარიდან არზრუმამდე ვრცელდებოდა. მიუხედავად ამისა, ს. I-სა და საქართვ. მეფეს შორის პოლიტ. ურთიერთობა მთლად არ შეწყვეტილა — ს. I-მა სამცხის სპასალარის წოდება შეინარჩუნა და დემეტრე II-ის დროს მეჭურჭლეთუხუცესობაც მიიღო.

წყარო: ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3, თბ., 1966.

ვ. გუჩუა.

სარგის II ჯ ა ყ ე ლ ი, სამცხის (მესხეთის) მმართველი 1306—34, სამცხის სპასალარი, ბექა I-ის ძე. მამის მმართველობის დროს თავი გამოიჩინა რუმის თურქების შემოსევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველთა ლაშქარმა მისი მეთაურობით ვაშლოვანთან დაამარცხა თურქები, რ-თაც აზატ მოსე მეთაურობდა; მის დროს სამცხე აღმ. საქართვ. მეფის მეშვეობით ემორჩილებოდა ილხანთა სახელმწიფოს, ვახუშტის ცნობით, ს. II-ს გიორგი V ბრწყინვალემ ათაბაგობა და ამირსპასალარობა უბოძა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

ვ. გუჩუა.

სარგის თმოგველი, XII—XIII სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი, ვარამ მწარგრძელის ძე. თმოგველობა მიიღო 1191. ისტ. და ლიტ. ტრადიციის მიხედვით, ს. თ-ს ეკუთვნის რომანტ.-სათავგადასავლო პოემა „დილარგეთიანი" („დილარიანი"), რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია. მასვე მიეწერება XI ს. სპარს. პოემის „ვის ო რამინის" პროზაული ქართ. თარგმანი „ვისრამიანი".

ლიტ.: ჯ ე ჯ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; მ ე ს ხ ი ა შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.

ა. გვაბარია.

სარგო, მოხელის კუთვნილი წილი ფეოდალურ რენტაში XVI—XVIII სს. საქართველოში. ს-ს იღებდნენ მეფის, ფეოდალებისა და ეკლესიის მოხელეები მათი საგამგებლო ობიექტებიდან როგორც ნატურალური, ისე ფულადი გადასახადის სახით. ს-ს რაოდენობა დამოკიდებული იყო რენტის სიდიდეზე. მას განსაზღვრავდა მოხელის პატრონი (მეფე, ფეოდალი, ეკლესია) საგანგებო დოკუმენტით — „სარგოს წიგნით". სამეფო და სადედოფლო მოხელეების ს-ს შემადგენლობა და რაოდენობა განსაზღვრული იყო XVIII ს. საკანონმდებლო ძეგლში—სამეფო და სადედოფლო დასტურლამალში. ფართო გაგებით ს. ეწოდებოდა აგრეთვე ჯამაგირსა და ულუფას. ჯამაგირი (XVI—XVIII სს-ში) იყო ფულადი საზღაური, რ-საც მოხელე იღებდა უშუალოდ პატრონისაგან, ხოლო ულუფა იყო ის სურსათი თუ ფული, რ-საც მოხელე იღებდა საშემოსავლო ობიექტიდან ან პატრონისაგან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ს-ს ადგილი თანდათანობით ჯამაგირმა დაიკავა.

ნ. შოშიაშვილი.

სარგოჯა, ქალაქი პაკისტანში, პენჯაბის პროვინციაში. დაახლ. 200 ათ. მკვ. სატრანსპ. კვანძი. სას.-სამ. რ-ნის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო, კვების, ქიმ., ლითონდასამუშ. მრეწველობა.

სარგონ დიდა აქადელი (აქადური შარუქინი „მეფე ჭეშმარიტი", ებრ. Sargon), აქადის მეფე ძვ. წ. 2369 — 2314, სემიტური დინასტიის დამაარსებელი. ლეგენდის მიხედვით, ხალხის დაბალი ფენიდან იყო გამოსული. მსახურობდა ქ-შის მეფე ურზაბაბას კარზე. აქ მომხდარი არეულობით ისარგებლა და ქ. აქადში დამოუკიდებელი მეფე გახდა. მალე დაიპყრო ჩრდ. შუამდინარეთი ქ. ქ-შითურთ და გაილაშქრა სამხრ. შუამდინარეთის მმართველ ლუგალზაგესის წინააღმდეგ, ძვ. წ. 2349 დაამარცხა იგი და გააერთიანა მთელი შუამდინარეთი. შექმნა 5400 კაცისაგან შემდგარი მუდმივი ჯარი, რ-იც სახ. ლაშქრის ბირთვს წარმოადგენდა. თავისი პოლიტიკის გატარებისას ეყრდნობოდა ეკონომიკურად მასზე დამოკიდებულ უაზნო მოხელეებსა და მსახურეულ არისტოკრატიას. სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა ტაძარიც. ფართოდ გაშალა საირიგაციო და სამშენებლო სამუშაოები, ჩაატარა ეკონ. რეფორმა, შემოიღო ზომა-წონის ერთიანი სისტემა, რამაც ხელი შეუწყო საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

ჯ. შარაშენიძე.

სარგონ II (ასურ. შარუქინი, ებრ. Sargon), ასურეთის მეფე ძვ. წ. 722 — 705. ტახტი დაიკავა სასახლის გადატრიალების შედეგად. ატარებდა აქტ. საგარეო პოლიტიკას. ძვ. წ. 721 დაიპყრო ისრაელის სამეფო, აყარა და ასურეთში გადაასახლა მისი მოსახლეობა. ძვ. წ. 717 დაიმორჩილა ჩრდ. სირია, 714 წარმატებით დალაშქრა ურარტუ. ძვ. წ. 710 ქურუმებისა და ადგილ. არისტოკრ. დახმარებით შეძლო ქ. ბაბილონის აღება. აქ განმტკიცების მიზნით ბაბილონს, ნიფურსა და სიფარს დაუბრუნა წინანდელი პრივილეგიები და ავტონომია. ძვ. წ. 707 რეზიდენცია გადაიტანა ახლანდ. ხორსაბადის ადგილას აგებულ ქ. დურ-შარუქინში. დაიღუპა ერთ-ერთ ბრძოლაში ძვ. წ. 705. მის დროს ფართოდ იყო გაჩაღებული სააღმშენებლო სამუშაოები. დურ-შარუქინში ააგეს მეფის ბრწყინვალე სასახლე, რ-ის კედლები დაფარული იყო ბრძოლებისა და ნადირობის სცენებით.

ჯ. შარაშენიძე.

სარგუსა, დასამუშავებელი ნაკეთობის ან მჭრელი იარაღის ლითონსაჭრელ ჩარხზე დასამაგრებელი სამარჯვი,რ-საც აქვს ცენტრ. ნახვრეტი. უმარტივესი ს. წარმოადგენს ღეროს, რ-საც აქვს საცენტრე ნახვრეტები ჩარხის ცენტრზე დასამაგრებლად, ან კონუსიანი ღერო. კონუსი შეესაბამება ჩარხის შპინდელის კონუსურ ნახვრეტს. ხშირად იყენებენ აგრეთვე სხვადასხვანაირ გასაშლელ ს-ებს.

სარდანაპალი, იხ. *ასურბანიპალი.*

სარდარი, ს ე რ დ ა რ ი, ს ი რ დ ა რ ი (სპარს.), 1. ოსმალეთის იმპერიაში საველე არმიის სარდლის ტიტული. 2. ეგვიპტეში ინგლ. ბატონობის პერიოდში — ბრიტ. ოფიცერი, რ-იც *ხედივის* არმიას სარდლობდა. 3. ირანში, ავღანეთში — გავლენიანი დიდებული, ტომის მეთაური. 4. ინდოეთში — სიქებში (განეკუთვნებოდნენ ჯატების კასტას) გავრცელებული ტიტული.

სარდინები, თევზები ქაშაყისებრთა ოჯახისა. ერთიანდებიან 3 გვარში: Sardina, Sardinella, sardinops. მათი სხეულის სიგრძე 25 *სმ*, მასა — 150*გ* აღწევს. ბინადრობენ მსოფლიო ოკეანის სუბტროპ. და ზომიერი წყლების სანაპირო ზონაში. საქართველოში გვხვდება 2 გვარი: Sardina, Sardinella. პირველი გავრცელებულია შავი ზღვის საქართვ. სანაპიროებთან ყველგან, ხოლო მეორე — ბათუმის ყურეში. ს. პლანქტონით იკვებებიან. მათგან კონსერვებს ამზადებენ, დიდ ნაწილს კი შინაური ცხოველების გამოსაკვებად იყენებენ.

შ. დემეტრაშვილი.

სარდინია (Sardegna), კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, აპენინის ნ.-კ-ის დას-ით. კ. კორსიკისგან გამოყოფილია ბონიფაჩოს სრუტით. იტალიის ტერიტორია. ფართ. 24 ათ. კმ². მოსახლ. 1,6 მლნ. კაცი (1976). აღმ. ნაპირი ციცაბოა, დას. — უმეტეს დაბლობი. კუნძულის აღმ. ნაწილი მთ ნია, სიმაღლე 1834 *მ*-მდე (მთა ლა-მარმ რა), აგებულია გრანიტებითა და კრის ფიქლებით. დას. და ჩრდ.-დას-ით ვულ პლატოებია. ჰავა სუბტროპიკულია, ხმე თაშუა ზღვისა. იანვ. საშ. ტემპ-რა 7—10° ივლ. 24—26°C. ნალექები 600 — 1000 წელიწადში. მდ-ები მოკლე და ჭორ მიანია. ტერიტ. 4% შემოსილია მარადმწ ნე და ფოთოლმცვივანი ტყეებით. ს. და მ დებარე პატარა კ-ები იტალიის ერთ-ერ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ოლქია.

სარდინია (Sardegna), ოლქი იტალიაშ კ. სარდინიასა და ახლომდებარე წვრილ კ-ებზე. ადმინისტრაციულად იყოფა კალ არის, ნუოროს, სასარის, ორისტანოს პრ ვინციებად. ფართ. 24,1 ათ. კმ². მოსახ 1,6 მლნ. კაცი (1980). მთავარი ქალაქ კალიარი. ს. ეკონომიკურად ქვეყნის ერ ერთი ჩამორჩენილი ოლქია. შეიმჩნევა შ შაბელის იტალ. ჩრდ. რ-ნებში გადასვლ

შუამდებარე 1,7 მლნ. ჰა მიწა, აქედ დაახლ. 70% უჭირავს საძოვრებსა და მ ლოებს. ს-ის საერთო ფართობის დაახ 13% დაფარულია ტყით (კორპის მუ ფიჭვი და სხვ.). მოჰყავთ მარცვლეულ პარკოსნები, კარტოფილი; განვითარებ ლია მებოსტნეობა, მევენახეობა, მებაღე ბა. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქცი ნახევარზე მეტს იძლევა მეცხოველეობ უმთავრესად მეცხვარეობა (იტალ. ცხვრ სულადობის დაახლ. 1/3). მისდევენ თევ ჭერას (სარდინი, თინუსი). იღებენ ტყვ სა და თუთიას (იტალ. მთელი მოპო ბის 4/5), ქვანახშირს (1/2), ფლუორი (1/2-ზე მეტი), ბოქსიტს. ტყვიისა და თ თიის გამოდნობა. ალუმინისა და თიხა წის ქ-ნები. ნავთობგადამუშავება და ნ თობქიმია, კვების, საფეიქრო, ტყავის, ხ დასამუშ., ელექტროტექ. მრეწვ., გემებ რემონტი. ხალიჩების ხელით ქსოვა.

ძვ. წ. VII ს-ში ს-ის კოლონიზაცია დ წყეს ფინიკიელებმა და ბერძნებმა, ძვ. 535 ს. დაიმორჩილა კართაგენმა, 238 რომმა. ახ. წ. V ს-ში დაიპყრეს ვანდალე მა, VI—VII სს-ში — ბიზანტიელებმა გუთებმა, VIII ს-ში — არაბებმა. XI ს ს-იდან არაბები განდევნა პიზისა და ნუის რესპუბლიკების გაერთ. ჯარ (შემდეგ მათ შორის ხანგრძლივი ბრძო იყო ს-ზე ბატონობისათვის). 1326 ს. არ გონის დინასტიას დაემორჩილა; ესპ. ტონობა 1708-მდე გაგრძელდა. ესპანეთ მემკვიდრეობისათვის ომის დროს კ. ს დინია 1708 ავსტრიის ხელში გადავ (დამტკიცდა *რაშტატის ზავით* 171 1720 ლონდონის ხელშეკრულებით ს. დაეცა სავოიის დინასტიას და *სარდინი სამეფოს* ნაწილი გახდა. იტალიაში ნა ლეონის ბატონობის დროს (1799-1 1814-მდე), როცა პიემონტი საფრ. შემ გენლობაში იყო, სავოიის დინასტიის ფეები კ. სარდინიაზე იმყოფებოდნენ. ს მცხოვრებლებმა აქტ. მონაწილეობა ღეს იტალ. გაერთიანებისათვის ბრძოლ ში. 1861-იდან ს-ის ტერიტ. იტალ. სა ფოს შემადგენლობაში შევიდა.

სარდინიის სამეფო, სახელმწიფო იტ ლიაში 1720—1861, შეიქმნა სავოიის ჰერცოგოსთან კ. სარდინიის შეერთებ ბირთვი — პიემონტი. 1792 ფრანგებმა იკავეს და საფრანგეთს შეუერთეს ნიცა სავოია, 1798 — პიემონტი. ნაპოლეო იმპერიის დაცემის შემდეგ ვენის კონგრ მა (1814—15) ს. ს. ძვ. საზღვრებში აღ გინა, მასვე გადაეცა ლიგურია (ყენუი მონარქიის რეაქციულმა პოლიტიკამ მოიწვია პიემონტის რევოლუცია (18 ჯ. *მაძინის* მოძრეთა ცდა მოეწყოთ 1 რესპუბლიკური აჯანყება მარცხით დ თავრდა. XIX ს. 40-იან წლებში პიემო ში მომხდარი სამრეწვ. გადატრიალე შედეგად ს. ს. იტალ. ერთ-ერთ ყველა განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფ იქცა. 1848 რევოლუციამ მეფე კარლო

ბერტო აიძულა გამოეცა კონსტიტუცია და სათაოში ჩასდგომოდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობას ავსტრ. ჰაბსბურგთა წინააღმდეგ. მაგრამ *ავსტრია-იტალიის ომში* (1848—49) იტალ. არმია დამარცხდა. კარლო ალბერტო გადადგა. მისი შვილი ვიტორიო ემანუელ II კ. ბ. *კაეურის* მთავრობასთან ერთად დინასტიური ომებისა და დიპლ. გარიგებათა მეობებით ს. ს-ს ტერიტ. გაფართოებას ცდილობდა. 1855 ს. ს. ჩაება ყირიმის ომში (1853—56) საფრ. და დიდი ბრიტ.-ს მხარეზე. შემდეგ საფრანგეთთან ერთად კვლავ იბრძოდა ავსტრიის წინააღმდეგ. ციურიხის ხელშეკრულებებით (1859) ს. ს-მ შეიერთა ლომბარდია, ტურინის ხელშეკრულებით (1860) კი საფრანგეთს გადასცა ნიცა და სავოია. იტალ. რევ. (1859—60) შედეგად ს. ს-ის შეუერთდა იტალ. თითქმის ყველა სახელმწიფო და ოლქი. 1861 წ. 17 მარტს ს. ს-მ მიიღო ოფიც. სახელწ.—იტალიის სამეფო.

სარდისი (ბერძნ. Sardeis, Sparda, sephard; ახლანდ. სოფ. სართი, თურქეთი), *ლიდიის* სახელმწიფოს დედაქალაქი ძვ. წ. VII ს.—ძვ. წ. 546. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია კრეზის მეფობის დროს. ძვ. წ. 546 ს. სპარსელებმა დაიპყრეს. XV ს-მდე სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. 1402 თემურლენგმა დაანგრია. არქეოლ. კვლევის (1910—14 და 1922) შედეგად გამოვლინდა ტაძარი (არტემისიონი), ნეკროპოლი, წარწერები მიდიურ ენაზე.

სარდუ (Sardou) ვიქტორიენ (7. IX. 1831, პარიზი, — 8. XI. 1908, იქვე), ფრანგი დრამატურგი. ფრანგ. აკად. წევრი (1877). ეკუთვნის 60-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის პიესა, რ-თაგან აღსანიშნავია „ბუზის თათები" (1860), „მადამ სან-ჟენი" (თანაავტორი ე. მორო, დაიდგა 1893, გამოქვეყნდა 1907), „სამშობლო!" (1869), „სიძეული" (დაიდგა 1874, გამოქვეყნდა 1875) და სხვ. „მადამ სან-ჟენი" 1979—80 იდგმებოდა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში.

სარდური, *ურარტუს* რამდენიმე მმართველის სახელი:

ს. I ლუთიფრის ძე, ურარტუს მეფე ძვ. წ. IX ს. 30-იან წლებში. ძვ. წ. 833 ომი ჰქონდა ასურეთის მეფე სალმანასარ III-თან. საალმშენებლო სამუშაოები ჩატარა დედაქალაქ ტუშფაში (ახლანდ. ქალაქი ვანი, ამჟამად თურქეთშია).

ს. II არგიშთის ძე, ურარტუს მეფე ძვ. წ. VIII ს. 60—30-იან წლებში. მეფობის დასაწყისში ომში დიდ წარმატებებს ალწევდა. მის მატიანეებში იხსენიება ს. II-ის გამარჯვება ასურეთის მეფე ასურნირარი VI-ზე, ურმიისპირეთში მდებარე მანის სამეფოსა და მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ, მელიტეის (მალათიის) და ქუშუხის დამარცხება. გაილაშქრა აგრეთვე გულხის ქვეყნის (კოლხეთის) წინააღმდეგ. დაიპყრო მისი სამხრ. რ-ნები. ცნობილია აგრეთვე მისი ლაშქრობები ჩილდირის ტბისა და მტკვრის სათავეების, ახლანდ. ლენინაკანისა და სევანის ტბის რ-ნებში. მეფობის ბოლოს არაერთჯერ დამარცხდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ III-თან (743 და 735 — სირიაში). ამ ბრძოლებში ს. II-ს ეხმარებოდნენ ევფრატის დას-ით მდებარე ქვეყნები მელიტეა, ქუშუხი და სხვ. 735 ასურელთა ლაშქრობა ტუშფამდე სდია დამარცხებულ ს. II-ს, მაგრამ ტუშფის აღება ვერ შეძლო. ურარტუმ ამ ბრძოლების შედეგად ბევრი დაპყრობილი ტერიტ. და გავლენის სფერო დაკარგა ჩრდ. შუამდინარეთში, ურმიისპირეთსა და ჩრდ. სირიაში. **ს. II** სამეფოს სხვადასხვა რეგიონში დიდი მასშტაბის სააღშენებლო სამუშაოებსაც ატარებდა, რის შედეგადაც აშენდა ციხესიმაგრეები, ტაძრები, სამეურნეო ნაგებობები, გაშენდა ბაღ-ვენახები და სხვ.

ს. III რუსას ძე, ურარტუს მეფე. ასურეთის მეფე ასურბანიფალთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად ძვ. წ. 639 ელჩობა გაგზავნა.

ს. IV სარდურის ძე, ურარტუს ერთ-ერთი უკანასკნელი მეფე (ძვ. წ. VI ს. დასაწყისში). *გ. მელიქიშვილი.*

სარეგისტრო ტევადობა გემისა, ს ა რ ე გ ი ს ტ რ ო ტ ო ნ ა ჟ ი გ ე მ ი ს ა, გემის შიგა სათავსების მოცულობა, რ-იც სარეგისტრო ტონებით აღირიცხება (1 სარ. ტ=100 კუბ. ფუტს=2,831685 $მ^3$). გასასხვავებენ საერთო (ყველა სათავსის მოცულობა) და სუფთა (სატვირთო სათავსების მოცულობა) ს. ტ-ს.

სარეგრესო სარჩელი, მოქალაქის ან ორგანიზაციის მიერ სასამართლოში (არბიტრაჟში) აღძრული უკუმოთხოვნა. უკუმოთხოვნის უფლება აქვს იმას, ვინც მესამე პირს მოვალის ნაცვლად გადაუხდის ფულად თანხას ან სხვა ქონებრივ ღირებულებას. მაგ., მოვალეს, რ-იც სოლიდარულ ვალდებულებას შეასრულებს, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მ. 181).

ს. ს. სოციალ. ორგანიზაციებს შორის ემსახურება ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებისათვის თითოეული სამეურნეო რგოლის პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც ხელს უწყობს სახ. მეურნეობაში *სამეურნეო ანგარიშის* განმტკიცებას. მაგ., არასათანადო ხარისხის პროდუქციის მიწოდებისათვის ჯარიმის გადამხდელ მიმწოდებელს უფლება აქვს აღძრას ს. ს. გადახდილი თანხის ანაზღაურების შესახებ იმ ორგანიზაციის მიმართ, რ-ის მიერ მიწოდებულმა მასალამაც განაპირობა პროდუქციის უხარისხობა.

თ. ლილუაშვილი.

სარეგულაციო ნაგებობანი, მდინარის კალაპოტის სარეგულირებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები (იხ. *მდინარეთა რეგულირება*). ს. ნ. არის მძიმე (კაპიტ.) და მსუბუქი ტიპისა. მძიმე ტიპის ს. ნ. (ჯებირი, საგუბარი და ა. შ.) უნდა ეწინააღმდეგებოდეს გამორეცხვას, წყლისა და ყინულის მრღვევ ზემოქმედებას, მას უნდა ჰქონდეს საკმაო მოქნილობა, რ-იც საშუალებას მისცემს ნაგებობას სიმტკიცის დარღვევის გარეშე შეეგუოს ფუძის დეფორმაციებს. მძიმე ს. ნ-თა ასაგებად იყენებენ ქვაყრილს, ძელყორესა და ხიმინჯიან, აგრეთვე სხვა სახის კონსტრუქციებს. მსუბუქი ს. ნ-ია ფიჩხის წნული და ფარდა, რ-ებიც მიმართავენ და გადახრიან მოწყობილობაში გამავალ ნაკადს, აგრეთვე დატოტვილი ღობე, მიწის ნაგებობანი (მძიმე საფრის გარეშე). კალაპოტის მიმართ განლაგების მიხედვით ს. ნ. არის გრძივი, განივი და კომბინირებული, ნაკადზე ზემოქმედების მიხედვით — მთლიანი და გამჭოლი.

სარეველა მცენარეები, მცენარეები, რ-თა არსებობა სავარგულებზე არასასურველია. ს. მ-ის რამდენიმე ათასი სახეობა არსებობს და მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. სსრკ-ში 1500-მდე სახეობაა, საქართველოში—დაახლ. 1000. **ს. მ.** კარგად ეგუებიან ადგილ. პირობებს, სწრაფად ვითარდებიან და ვრცელდებიან, დიდ ზიანს აყენებენ სოფ. მეურნეობას — თრგუნავენ, ერევიან კულტ. მცენარეებს, ნიადაგიდან დიდი რაოდენობით იღებენ ტენსა და საკვებ ნივთიერებას, ხელს უწყობენ მავნებლებისა და დაავადებების გავრცელებას, ზოგიერთი მათგანი ფესვიდან გამოყოფს მავნე ნივთიერებებს. ხვიარა სარეველა (ხვართქლა, ყანის ჭლექი და სხვ.) ნათესის ჩაწოლას იწვევს, რაც ართულებს მანქანით მოსავლის აღებას; ზოგის (მაგ., ბუსუსნაყოფა ჰელიოტროპი) თესლი ადამიანისა და სახ.-სამ. ცხოველისათვის მომწამლველია, სათიბ-საძოვრებზე შხამიანი **ს. მ**-ით იწამლება პირუტყვი და სხვ. არსებობს **ს. მ**-ის 3 ბიოლ. ტიპი: თესლიანი მოკლეხნოვანი, ვეგეტაციური მოკლეხნოვანი და მრავალწლოვანი.

თესლიან მოკლეხნოვანთა გამრავლება, გავრცელება და განახლება ხდება თესლითა და ნაყოფით, ერთხელ მსხმოიარობენ და კვდებიან, მ. შ. არიან ერთ- და ორწლოვანები. მათგან რამდენადმე განსხვავდებიან პარაზიტი სარეველები, რ-ებიც პარაზიტობენ მასპინძელი მცენარის ღეროზე (აბრეშუმა), ფესვზე (კელაპტარა) და ნახევრად პარაზიტები (კორდისკბილა, ხრიალა და სხვ.). ვეგეტაციური მოკლეხნოვანი სარეველა თესლის გარდა ვეგეტაციურად მრავლდება, მაგ., გორგლით, ბოლქვით და სხვ. მრავალწლოვანი სარეველების მიწისქვეშა ორგანოები დიდხანს ცოცხლობენ, ყოველწლიურად იძლევიან ამონაყარს, რ-იც 1—2 წელს ცოცხლობს და ნაყოფის მოცემის შემდეგ იღუპება. ასეთებია ფუნჯაფესვიანები, მთავარღერძიანები, ფესურიანები და ფესვნაყრიანები.

ადგილსამყოფელისა და სპეციალიზაციის მიხედვით **ს. მ.** არიან რუდერალური (მრავლდებიან ნაგვის საყრელ ადგილას, საცხოვრებლის ან სანაკელის ახლოს, გზის გასწვრივ და სხვ.), სეგეტალური (სარეველები სახნავში, მდელოზე, ვენახში, ხეხილის ბაღში, პარკებში და სხვ.), ბუნებრივი სავარგულების **ს. მ.** და სპეც. ფართობების **ს. მ.** ცალკე გამოიყოფა საკარანტინო სარეველები, რ-თა გავრცელებაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული (აკონტროლებს საკონტროლო სამსახური). **ს. მ**-ის წინააღმდეგ იყენებენ აგროტექ., ქიმ., ბიოლ. და კომპლ. ღონისძიებებს.

ლიტ.: ზოგადი მიწათმოქმედება, თბ., 1975. *გ. ქეშელაშვილი.*

სარეზერვო ფონდი სსრკავშირში, იხ. *სახელმწიფო რეზერვები.*

სარეზერვო ჯარი, ჯარის კატეგორია, რ-იც მშვიდობიანობის დროს ე. წ. საველე ჯართან შედარებით მცირე შემადგენლობისაა, ხოლო ომის დროს სრულ შტატამდე კომპლექტდება. მისი დანიშნულებაა სადარნიზონო სამსახური ციხესიმაგრეებსა და ქვეყნის შიგნით, სამიმოსვლო გზების დაცვა და მოქმედი არმიის გაძლიერება. **ს. ჯ.** ჰყავდათ XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყ. რუსეთში, ავსტრია-უნგრეთსა და საფრანგეთში.

სარეზის ტბა, ტბა პამირში, ტაჯ. სსრ მთიანი ბადახშანის აო-ში, ჩრდ. ალიჩურისა და მუზჭოლის ქედებს შორის, 3239 *მ* სიმაღლეზე. ფართ. 86,5 $კმ^2$. სიგრძე დაახლ. 75 *კმ*, სიგანე 3,4 *კმ*-მდე, საშ. სიღრმე 190 *მ*, მაქს. — 505 *მ*. წარმოიქმნა 1911 მიწისძვრის შედეგად (ჩამონაზვავმა გადაკეტა მურღაბის ხეობა). უმთავრესად საზრდოობს მყინვარის წყლით. დონის რყევა დაახლ. 6 *მ*. იყინება დეკ. ბოლო — იანვ. I ნახევარში. ყინულისაგან თავისუფლდება მარტის ბოლო — მაისში.

სარეკატ ისლამი (ისლამის კავშირი), პირველი მასობრივი ეროვნული ორგანიზაცია ინდონეზიაში. დაარსდა 1912. თანდათანობით რევ.-დემოკრ. ხასიათი მიიღო, მაგრამ 1923 ბურჟ. წრეების წარმომადგენლების მოთხოვნით **ს. ი**-იდან კომუნისტები გარიცხეს. მას გამოეყო რამდენიმე სექცია და შეიქმნა სარეკატ რაკიატის (ხალხთა კავშირი; 1923—27) ორგანიზაცია, რ-იც მხარს უჭერდა კომპარტიას. **ს. ი**-ის გავლენა მკვეთრად დაეცა, იგი გადაიქცა ნაკლებმნიშვნელოვან, ბურჟ. პარტიად (არსებობდა 1973-მდე).

სარეკი, სოფელი საჩხერის რ-ნში, მდების ყვირილისა და ჯრუჭულის შესაყართან. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ბაჯითი, ქვემო ხევი). ზ. დ. 500 *მ*, საჩხერიდან 4 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხოველეობა. საშ. სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, კულტსახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად



სარეპორტაჟო სატელევიზიო დანადგარი. ვიდეომაგნიტოფონიანი ზურგჩანთური სარეპორტაჟო სატელევიზიო დანადგარი.

შოხსენიებულია XVII ს-ში. შემორჩენილია XIX ს. ეკლესია.

სარკაჭის ეხი, ზედა პალეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლი სოფ. სარკაჭის ტერიტორიაზე (საჩხერის რ-ნი), მდ. ჯრუჭულის მარცხ. ნაპირზე, მდინარის დონიდან 15 *მ*-ზე. ჯრუჭულის მღვიმის პირდაპირ. აღმოაჩინეს და გათხარეს 1959—60 (დ. თუშაბრამიშვილი). ს. ე. კლდოვანი ფარდულია, რ-საც ადამიანი სეზონურად იყენებდა. კულტ. ფენა 25—30 *სმ* აღწევს. ფენის ქვედა შრე (15—20 *სმ* სისქის) შეიცავს პალეოლითურ ნაშთებს. მასში აღმოჩნდა კაჟის 794 ნივთი. გვხვდება მზა იარაღი: მიკროლითური ლამელები (200 ც.), შატელპერონის მაგვარი ზურგამორკალული დანები (32 ც.), საფხეკები (27 ც.) დამზადებული როგორც ლამელებზე, ისე ანატკეცებზე. აქ აღმოჩენილი ფაუნიდან აღსანიშნავია დომბას, შველის, ტახის, კეთილშობილი ირმის, კავკ. ჯიხვის, მურა დათვისა და ე. წ. ტყის კატის ნაშთები. ზედა შრე (5—10 *სმ* სისქის) შეიცავს ფეოდ. ხანისა და თანამედროვე კერამიკის ფრაგმენტებს.

ლიტ.: თუშაბრამიშვილი დ., ჯრუჭულას ხეობის გამოქვაბულები, «საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები», 1963, ტ. 1; წერეთელი ლ., თუშაბრამიშვილი დ., სარკაჭის ეხის ზედა პალეოლითური ნაშთები, «ძეგლის მეგობარი», 1975, № 37. *დ. თუშაბრამიშვილი.*

სარეზონტოდ ვარგისობა, ნაკეთობის (ტექნიკური მოწყობილობის) თვისება, რიც მდგომარეობს იმაში, თუ რამდენადაა იგი მიმართულებული ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩასატარებლად; *სიმედრობის* ერთ-ერთი ძირითადი თვისება. ს. 3-ს განსაზღვრავენ ნაკეთობის საექსპლუატაციო და სარემონტო ტექნოლოგიურობით.

საექსპლუატაციო ტექნოლოგიურობა — ნაკეთობის მუშაობისათვის მიმარჯვებულობა მისი ტექ. მომსახურების, საექსპლუატაციოდ მომზადებისა და მუშაობის პროცესში, აგრეთვე მუშაობის დამთავრების შემდეგ.

სარემონტო ტექნოლოგიურობა — ნაკეთობის მიმარჯვებულობა რემონტის სწრაფი და მოხერხებული ჩატარებისათვის.

ს. 3. ხასიათდება მანქანა-დანადგარების *მუშაობის უნარის* შესანარჩუნებლად და აღსადგენად დახარჯული შრომით, დროითა და სახსრებით.

ლიტ.: Волков П. Н., Аристов А. И., Ремонтнопригодность машин, М., 1971.

სარეპორტაჟო სატელევიზიო დანადგარი, *მოძრავი სატელევიზიო სადგურის* სახეობა; გამოირჩევა ოპერატიულობით, მობილურობითა და მუშაობის ავტონომიურობით. ს. ს. დ-ით გადასცემენ რეპორტაჟს სასპორტო მოედნიდან, სასმჭროდან და ა. შ., ზოგიერთ ს. ს. დ-ს მუშაობა შეუძლია მოძრაობის დროს (მაგ., მორბენალთა ჯგუფის თანხლება). ს. ს. დ. ორგვარია: საავტ., რ-ის აპარატურა დამონტაჟებულია მიკროავტობუსის ძარაში, და ზურგჩანთური (სურ.). ს. ს. დ-ში იყენებენ 1 ან 2 მცირეგაბარიტიან სატელევიზიო კამერას. მიკროავტობუსის სატელევიზიო აპარატურასთან კამერები დაკავშირებულია *კოაქსიალური კაბელით* ან რადიოკავშირის ხაზით. ს. ს. დ-იდან ტელეცენტრში სარეპორტაჟო სიუჟეტების გადასაცემად იყენებენ ტიპური მოძრავი სატელევიზიო სადგურის რადიოკავშირის არხებს ან სპეც. ავტობუსში დამონტაჟებულ რეტრანსლატორს, ანდა პორტატიული *ვიდეომაგნიტოფონის* ჩანაწერს.

სარეპროდუქციო პროცესები პოლიგრაფიაში, საილუსტრაციო ორიგინალებიდან *საბეჭდი ფორმების* დასამზადებელი ტექნოლოგიური ოპერაციების ერთობლიობა. ყველაზე გავრცელებულია ფოტომექან. ს. პ., რ-თა მიმდინარეობის დროს თანამიმდევრულად იღებენ ფოტოფორმებს (ნეგატივს და დიაპოზიტივს), ამზადებენ მათგან პირებს, ამუშავებენ მათ და შემდეგ ბეჭდავენ საკონტროლო (კორექტურულ, საცდელ) ანაბეჭდებს ფორმიდან. განასხვავებენ მრავალფეროვანი გამოსახულებების რეპროდუქციების მიღების პირდაპირ და არაპირდაპირ ხერხებს. პირდაპირი ხერხის გამოყენებისას ორიგინალის ფოტოგადაღება ხდება სტამბაში (ერთდროულად *რასტრითა* და შუქფილტრით). უფრო რთული არაპირდაპირი ხერხი ორიგინალის ადგილზე ფოტოგადაღების საშუალებას იძლევა, მაგრამ იგი მეტ დროსა და მეტ თანხას მოითხოვს. რეპროდუქციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს ისეთი ს. პ., რ-თა განსახორციელებლად იყენებენ ელექტრონულ მოწყობილობებს (მაგ., *ელექტრონულ საგრავირებელ ავტომატს*).

სარეპროდუქციო ტექნიკა, საილუსტრაციო *საბეჭდი ფორმების* დასამზადებელი პოლიგრაფიული მანქანებისა და მოწყობილობების ერთობლიობა. მუშაობის პრინციპის მიხედვით განასხვავებენ ფოტომექან. და ელექტრონულ ს. ტ-ს. ფოტომექანიკური მოწყობილობების მეშვეობით ასრულებენ *სარეპროდუქციო პროცესების* ცალკეულ ტექნოლ. ოპერაციებს (ნეგატივისა და დიაპოზიტივის მიღება, მათი რეტუშში და მონტაჟი, პირის დამზადება და დამუშავება). ნეგატივის მისაღებად იყენებენ ვერტ. და ჰორიზ. კონსტრ. სარეპროდუქციო ფოტოაპარატებს, რ-თაც აქვთ ელექტროსამძრავი და სხვადასხვა ოპერაციის საავტომატიზებელი მოწყობილობა. დიაპოზიტივს ამზადებენ ნეგატივიდან კონტაქტურ-პირგადასაღებ დაზგებზე. ფოტოფორმების (ნეგატივებისა და დიაპოზიტივების) რეტუშში ხდება სარეტუშო მაგიდებზე, ხოლო მათი მონტაჟი — მაგიდებზე, რ-ებიც ქვემოდან ნათდება გაბნეული შუქით. საფორმო ფირფიტების ზედაპირზე შუქმგრძნობიარე შრე წარმოიქმნება ვერტ. (იშვიათად — ჰორიზ). ტიპის ცენტრიფუგებში. ფოტოფორმებიდან შუქმგრძნობიარე ფირფიტებზე გამოსახულების გადასატანად იყენებენ ისეთ პირგადასაღებ ჩარჩოებს, რ-თაც აქვთ ე. წ. აქტინური სინათლის მძლავრი წყაროები (მაგ., რკალური მაშუქა, ქსენონის ნათურა). პირს სამუშაო ხსნარით ამუშავებენ *კიუვეტში* ან სარეცხელში ხელით, მაგრამ ოფსეტური ბეჭდვის დროს მსხვილ საწარმოებში შეიძლება ავტომატიზებული ნაკადური ხაზების გამოყენებაც. მომზადებული პირის ამოსაჭიმელად მაღალი ბეჭდვისას იყენებენ დახურული ტიპის *ამომჭიმელ მანქანას.* მეტად რთული ელექტრონული მოწყობილობით ატარებენ ფორმის მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციების კომპიექსებს (მრავალსაღებავიანი გამოსახულებებისათვის). ფერდაყოფილი რასტრული დიაპოზიტივების ან საბეჭდი ფორმების მისაღებად ყველაზე ხშირად ხმარობენ ელექტრონულ ფერდამყოფ ფერკორექტორებს, რ-თა მეშვეობით მარტივდება და ჩქარდება საწარმოო პროცესები.

ლიტ.: Гудилин Ю. Н., Измайлов К. Ф., Оборудование для изготовления печатных форм, М., 1971 (Полиграфические машины, кн. 2).

სარეცხი მანქანა, თეთრეულის დასალბობი, გასარეცხი, გასავლები, გასალილაგებელი და გასაწურავი საყოფაცხოვრებო მანქანა. ს. მ-ის ძირითადი კვანძებია აქტივატორი (გამოშვერილწიბოიანი დისკო), სარეველა ან დოლი; გასაწური მოწყობილობა, ტუმბო, ერთი ან რამდენიმე ელექტროძრავა (ჩამოთვლილი კვანძების ასაძრავად), სარეცხი ავზი. ს. მ. სხვადასხვაგვარია: უსაწურო (მცირე გაბარიტიანი გადასატანი), ხელის ვალცებიანი საწურის მქონე, ნახევრად ავტომ. ერთავზიანი დოლური ტიპისა და ავტომატური. უშვებენ აგრეთვე სარეცხ-საშრობ ავტომატებსა და წყალშეკავლურ ავტომატებს. ნახევრად ავტომ. მანქანებში ნამუშევარი ხსნარი გადმოიღვრება თვითდენით ან ტუმბოთი. გასარეცხად და გასაწურად განკუთვნილი დროის გასვლის შემდეგ (ნახევრადავტომ. ს. მ-ში) რელე ძრავებს გამორთავს. დოლური ტიპის მანქანაში სარეცხი ირეცხება პერფორირებულ დოლში, რ-იც სარეცხ ავზში ჰორიზ. ღერძის ირგვლივ ბრუნავს. ავტომ. მანქანებში რეცხვის ყველა ოპერაცია ადამიანის ჩაურევლად სრულდება. სამრეწვ. ს. მ-ების შესახებ იხ. სტ. *კომუნალური მანქანები.*

სარეცხი საშუალებები, ტექნიკური პრეპარატები, რ-თა წყალხსნარებს იყენებენ მყარი სხეულის ზედაპირის გასაწმენდად (გასარეცხად). ს. ს-ია *საპნები* და სინთეზური პრეპარატები. სინთეზური ს. ს-ის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია *ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები* და სხვადასხვა დანამატი (ტუტე დანეიტრალური ელექტროლიტები, ზეანგარი ნაერთები, ოპტ. მათეთრებლები და ა. შ.). განასხვავებენ იონოგენურ და არაიონოგენურ სარეცხ ნივთიერებებს (სნ). იონოგენური სნ იყოფა ანიონაქტიურ, კატიონაქტიურ და ამფოტერულ ნივთიერებებად (ყველაზე მეტად გავრცელდა ანიონაქტიური სნ). ანიონაქტიურ სნ-ის ფუძეზე ამზადებენ ყველა ცხიმოვან საპონს და სინთეზური ს. ს-ის უმეტესობას. სასაქონლო ცხიმოვანი საპნების დასამზადებლად ძირითადად იყენებენ უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების (ნატრიუმის ან კალიუმის) მარილებს. სინთეზური ანიონაქტიური სნ-ია საპნები, ალკილსულფატები, ალკილარილსულფონატები, ალკილსულფონატები და სხვ. კატიონაქტიურ და ამფოტერულ სნ-ს ნაკლებად იყენებენ ს. ს. ად. მათ აქვთ ბაქტერიციდული ზემოქმედება და იყენებენ არაიონოგენურ ნივთიერებებთან ერთად სადეზინფექციო საშუალებად. ს. ს-ს ამზადებენ ფხვნილების პასტებისა და სითხეების სახით.

ლიტ.: Неволин Ф. В., Химия технология синтетических моющих средств, 2 изд., М., 1971; Штюпель Г., Синтетические моющие и очищающие средства, пер. с нем., М., 1960.

სარეწაო კოოპერაცია, კოოპერაციის სახე, რ-იც აერთიანებს წვრილ მწარმოებლებს (ხელოსნები, შინამრეწველები) საქონლის ერთობლივი წარმოებისა და მომსახურების გაწევის მიზნით. პირველი ს. კ-ები აღმოცენდა საფრანგეთსა და გერმანიაში XIX ს. 50-იან წლებში. ამჟამად კოოპერაციის სხვა სახეებთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია.

საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში ს. კ. ფართოდ გავრცელდა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ნეპმა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სარეწაო კოოპერაცია ხელს შეუწყობს წვრილმრეწველობის განვითარებას, ეს მრეწველობა გაადიდებს გლეხებისათვის აუცილებელ ისეთ პროდუქტებისა რაოდენობას, რომლებიც მეტწილად არ რკინიგზებით შორიდან მოზიდვას საჭიროებენ, არც მსხვილ საფაბრიკო საწარმოებს, ყოველი ღონისძიებით უნდა დაეხმაროთ სარეწაო კოოპერაციას და განვავითაროთ იგი...“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., გ. 32, გვ. 463). 1919 წ. 1 იანვ-თვის ს. კ-ის რაოდენობა შეადგენდა 780 ერთეულს, 1923 — 4952, 1925 — 8641, ხოლო 1935 წლისთვის — 14811; ს. კ. უპირატესად ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებდა, განსაკუთრებით გაიზარდა ს. კ-ის პროდუქციის გამოშვება დიდი სამამულო ომის პერიოდში. 1945 ს. კ-მ გამოუშვა 953 მლნ. პროდუქცია, რაც თითქმის ორჯერ აღემატებოდა 1942 მაჩვენებელს. 1956 ს. კ-ის სისტემაში ითვლებოდა 54,7 ათ. საწარმო, რ-ებშიც დასაქმებული იყო 1,8 მლნ კაცი. 60-იან წლებში ს. კ-მ არსებობა შეწყვიტა.

1923 საქართვ. შინამრეწვ. დარგებმა აბრეშუმის ქსოვა, ხალიჩებისა და ნაბდე- ის დამზადება, თიხის დამუშავება და ხვ.), სადაც ჩართული იყო დაახლ. 50 ო. კომლი, გამოუშვეს დაახლ. 7,6 მლნ. ნ. პროდუქცია. ყველაზე მეტად გავრ- ელებული იყო შალის წარმოება, მასზე ოდიოდა შინამრეწველთა ნახევარზე მეტი 56%). 1927 წ. 1 თებ-იდან რესპუბლიკაში უწყებრივ დაიწყო „სარეწკოოპკავშირმა", რ-იც ამ პერიო- ისათვის აერთიანებდა 40 ამხანაგობას ე. შ. 5 ამხანაგობა სოფლად იყო). ამხანა- ობებში გაერთიანებული იყო 1638 კაცი, შ. 304 ქალი. უკვე 1929 დასაწყისში ოოპერირებული იყო შინამრეწველთა 2,5%, უმეტესობა ადგილ. ნედლეულს ამუ- ავებდა. ამ პერიოდში კოოპერირებული ო 273 ორგანიზაცია (სულ 7460 წევრი), -თა მთლიანი პროდუქცია 13 მლნ. მან. ადგენდა. სარეწაო კოოპერაცია გამო- ემდა გაზეთს „ჩვენი კოოპერა- ია" (1923-იდან).

ს. კ-ს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ხიისა და აფრ. მრავალ ქვეყანაში (ინ- ოეთი, ეგვიპტე და სხვ.) ამ მრეწვ. წამ- ანი დარგი წარმოდგენილია შინასარე- ებითა და ხელოსნური წარმოებით, იტომ მათ გაერთიანებას ს. კ-ში დიდი ნრადღება ეთმობა. ს. კ. გავრცელებუ- ია მრავალ სოციალ. ქვეყანაში, აგრეთვე პიტალიზმის ზოგიერთ განვითარებულ ეყანაში (დიდი ბრიტანეთი, საფრან- თი) (იხ. აგრეთვე *კოოპერაციული ძრაობა*). *ჯ. კახნიაშვილი.*


სარეფი გემი, გემი, რ-ითაც იჭერენ და უშაობენ თევზს, ვეშაპებს, ზღვის ცხო- ლებსა და სხვ. განასხვავებენ საჭერ ტრაულერი და *სეინერი*, ვეშაპსაბოცი ა სხვ.) და დამამუშ. (კიბორჩხალ- და ევზსაკონსერვო მცურავი ბაზები, ვეშაპ- ზები და სხვ.) გემებს. თევზის, ვეშაპე- სა და სხვ. საჭერი და გადასამუშ. მო- ბილობის გარდა ს. გ-ების უმრავლე- ობას აქვს საცივებელი სატვირთო სათავ- ბი. მრავალი ტიპის ს. გ-თვის დამახა- ათებელია ცურვის რ-ნის შეუზღუდაობა დიდი ავტონომიურობა. ს. გ-ის წყალ- ვა რამდენიმე ათ. ტ-ს აღწევს.

სარკანი, ძვ. სოფელი ქვემო ქართლში, ე. ალგეთის ხეობაში (ახლანდ. მარნეუ- ის რ-ნის ტერიტორიაზე). ს-ში დასახ- ებული იყო მოსული თურქმანული ტომი. *ლიტ.:* ლორთქიფანიძე ი., ქვე- ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეო- ხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.


სართავი კულტურები, სა ფ ე ი ქ რ ო ულ ტ უ რ ე ბ ი, მცენარეები, რ-ებიც ნაჭყავთ ბოჭკოს მისაღებად. ესენია სხვა- ასხვა ბოტანიკ. ოჯახის ერთ- ან მრავალ- ლოვანი მცენარეები. ზოგ ს. კ-ს ბოჭკო ვს თესლზე (ბამბა), ზოგს — ნაყოფში ეიბა), ღეროში (სალაფნე კულტურები), ოთოლში (აგავა, ახალზელანდიური სე- ი). მსოფლიო მიწათმოქმედებაში უდიდე- ფართობი უკავია ბამბას, ჯუთს, კა- ფს, სელს, კენაფს; სისრკ-ში — ბამბას, ულს, კანაფს. ს. კ-ს ბოჭკო *საფეიქრო რეწველობის* ძირითადი ნედლეულია.

სართავი მანქანა, მანქანა, რ-იც ფთი- ისა და ლენტისაგან გამოიმუშავებს ძრთს და სართავ წარმოებაში ასრულებს ოჭკოვანი მასალის დამუშავების პრო- ესს. გამოყენებული ბოჭკოს მიხედვით ნასხვავებენ ბამბის, ლაფნის ბოჭკოე- ს, მატყლისა და აბრეშუმის ნარჩენების ს. მ-ებს. ქიმ. ბოჭკოებისაგან ნართს ღე- ულობენ ნატურალური ბოჭკოების ს. ებზე. ყველა სახის ბოჭკოს დამუშავებას წყებენ უწყვეტი მოქმედების რგო- ურ ს. მ-ზე, რ-იც ნახევარფაბრიკატს ნიჭებს საჭირო სიწმინდეს და წარმოქმნის ვრილ ლენტს, გრეხს მას ნართად და ახ- ევს საფუთავზე. ბამბის სართავ ორმხ- ივ რგოლურ ს. მ-ზე (ნახ. 1) ფთილა ხვდება *გამოსაჭიმი ხელსაწყოს* მკვებავ წყვილში. იქიდან გამოსული წვრილი ლენ- ტი იგრიხება, მიღებული ნართი გაივლის ჯერ ძაფგამტარში, შემდეგ კი — რგოლზე ჩამოცმულ მორბედში და ეხვევა *თითისტა- რზე* ჩამოცმულ მასრაზე ან ვაზნაზე.

შექმნილია უ თ ი თ ი ს ტ ა რ ო რთვის ს. მ-ები, რ-ებზეც ხორციელდება მკვებავი პროდუქტის დისკრეტიზაცია (ცალკეულ ბოჭკოებად დაყოფა), ბოჭკოების დისკრეტული ნაკადის ტრანსპორტირება, მათი შეერთება ან გასქელება უწყვეტი პროდუქტის ფორმირებისათვის, ნართად დაგრეხა და მისი დახვევა. ამ სახის მანქანებიდან ყველაზე გავრცელებულია პ ნ ე ვ მ ო მ ე ქ ა ნ ი კ ურ ი ს. მ. (ნახ. 2). მკვებავი ცილინდრი ლენტს (ან ფთილას) აწვდის დამყოფ ლილვაკს. მიღებული ბოჭკოების დისკრეტულ ნაკადს ჰაერი არხით აწვდის სწრაფად მბრუნავ [(500—1000 $წ^{-1}$ (30—60 *ათ. ბრ/წთ*)] კამერას. კამერის ღარში წარმოიქმნება ბოჭკოვანი წვრილი ლენტი (ბოჭკოების ნაკადი ციკლურად ერთდება, რაც დისკრეტული ნაკადის ხაზოვან სიმტკიცეს 15—20-ჯერ ზრდის). კამერიდან მზა ნართი გამომშვები ლილვაკებით გამოდის და ბობინაზე ეხვევა. რგოლურ ს. მ-თან შედარებით მისი მწარმოებლობა 2—3-ჯერ დიდია.



სართავი მანქანა. ნახ. 1. რგოლური სართავი მანქანის სქემა: 1. ფთილიანი კოჭები; 2 — გამოსაჭიმი ხელსაწყო; 3—ძაფგამტარი; 4—თითისტარი; 5 — მორბედი; 6—რგოლი.



სართავი მანქანა. ნახ. 2. პნევმომექანიკური სართავი მანქანის სქემა: 1—ლენტი; 2—მკვებავი ცილინდრი; 3—დამყოფი ანუ სავარცხნი ლილვაკი; 4—სართავი კამერა; 5—ბობინა; 6—ნართი; 7 — მიმმართველი მილაკი; 8—ღარი; 9—არხი.

ლიტ.: Механическая технология волокнистых материалов, М., 1969; Севостьянов А. Г., Шилова Н. И., Безверетенное прядение, М., 1969.

სართავ-საგრეხი მანქანა, სხვადასხვა ბოჭკოსაგან დაგრეხილი ძაფის მისაღები საფეიქრო მანქანა. ს.-ს. მ-ზე ერთდროულად მიმდინარეობს რთვისა და გრეხის პროცესი, რ-იც ალრთიანებს რთვის, დაორ- ფების, გრეხისა და დახვევის ოპერაციებს. მანქანის მუშაობისას ფთილა კოჭებიდან მოხვდება გამოსაჭიმ ხელსაწყოში, სადაც საჭირო სიწმინდემდე გამოიჭიმება. გამოჭიმული პროდუქტისაგან თითისტარის ღერძულ არხში მიიღება ნართი. ამავე ღარში ხვდება მეორე ნართიც თითისტარზე ჩამოცმული საფუთავიდან. არხში ორივე ძაფი დაორფდება, ხოლო არხიდან გამოსვლის შემდეგ დაიგრიხება. მზა დაგრეხილი ძაფი ეხვევა ბობინაზე.

ლიტ.: Корниковский П. К., Моисеенко М. М., Острогожский О. Г., Прядильно-крутильные машины, М., 1969.

სართი, დანამატი გაცვლილობისას, როცა გაცვლილი ნივთები თანაბარი ღირებულების არ არის; „საცვალზე დასამატი" (საბა).

ლიტ.: ორბელიანი ს.-ს., თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1966; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963. *დ. ფურცელაძე.*

სართიჭალა, სოფელი გარდაბნის რ-ნში, ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვ. მხარეს, თბილის—საგარეჯოს საავტ. გზაზე. სოფ- საბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., შულანლო). ზ. დ. 660 *მ*, გარდაბნიდან 45 *კმ*, ივრის რკინიგზის სადგურიდან 5 *კმ*. მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭ. მეურნ. და მეცხოველეობის კომპლექსი. იღებენ ნავთობს. პროფტექ. სასწავლებელი, 3 სამ., 1 რვაწლ. და 2 საღამოს (ცვლიანი) სკოლა, 3 საბავშვო ბაგა-ბაღი, 5 ბ-კა, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულ., საფერშლო-სამეანო პუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ- ბა.


სართულებიანი ხვნა, ნიადაგის შრეობრივი დამუშავება ფენების გადაადგილებით. იყენებენ ბიცობიანი და ეწერი ნიადაგების გასაუმჯობესებლად. ხვნა ტარდება ორ- ან სამსართულიანი გუთნით 40 *სმ* სიღრმეზე. ასეთი დამუშავების დროს ჩვეულებრივ სახნავ ფენას თავის ადგილას ტოვებენ ან გადააადგილებენ — ადგილებს შეუნაცვლებენ მეორე და მესამე ფენას. ს. ხ. ტარდება პერიოდულად, 5—6 წელიწადში ერთხელ, დანარჩენ დროს ნიადაგს ჩვეულებრივ სიღრმეზე ამუშავებენ.

გ. ქეშელაშვილი.

სართულებისა და გადახურვების აწევის მეთოდი, მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის სპეციალური მეთოდი, რ-ის გამოყენებისას მშენებლობის პროცესი მოიცავს: საძირკვლების მოწყობას, სვეტების დამონტაჟებას, მიწის დონეზე სართულშუა გადახურვებისა და სახურავის რკინაბეტონის ფილების წყებად დაბეტონებას; ბეტონის გამყარების შემდეგ ფილების თანდათან აწევას საპროექტო დონეზე სინჭრონულად მომუშავე სპეციალური დომკრატების კომპლექტის მეშვეობით; სახურავისა და გადახურვის ფილების საბოლოო დამაგრებას და შემომზღუდი ელემენტების (კედლები, ტიხრები) დამონტაჟებას. ასაწევად იყენებენ 10÷48 პიდრავ., პიდროელექტრულ. ელექტრომექან. დომკრატს. ასაწევი ფილის მასა შეიძლება იყოს რამდენიმე ასეული ტ, ხოლო ფართობი — რამდენიმე ასეული $მ^2$, რაც მეტად ხელსაყრელია ტექ.-კონსტრ. და ეკონ. მოსაზრებით. სახურავის ფილის აწევის შემდეგ ყოველი მომდევნო სართულის გადახურვის ფილის აწევამდე შეიძლება მასზე სართულის ყველა ელემენტის (კედლები, ტიხრები და სხვ.) დამონტაჟება და შემდგომ მზა სართულიხ აწევა საპროექტო დონეზე, რაც შეესაბამება სართულების აწევის მეთოდს.

ს. და ბ. ა. მ-ის გამოყენება მოითხოვს შენობის შესაბამის მოცულობით-დაგეგმარებით და კონსტრ. გადაწყვეტას: მას უნდა ჰქონდეს რკინაბეტონის ან ლითონის სვეტებიანი მზიდი კარკასი და მონოლითური რკინაბეტონის კონსოლიანი უჯრი გადახურვები.

ს. და ბ. ა. მ. უზრუნველყოფს მშენებლობის მაღალ ტექ.-ეკონ. მაჩვენებლებს (სეისმომედეგობა, ლითონის მცირე ხარჯი, მშენებლობის მოკლე ვადა და სხვ.). გადახურვების აწევის მეთოდი ჩაისახა საბჭოთა კავშირში (1950, აშშ), ხოლო სართულების აწევისა დამუშავდა სსრკ-ში (1959).



სართავ-საგრეხი მანქანის სქემა: 1—ფთილიანი კოჭა; 2—გამოსაჭიმი ხელსაწყო; 3—კოჭიანი თითისტარი; 4—დაგრეხილი ძაფის ბობინაზე დასახვევი მექანიზმი.



ვ. სარიანი.



ლ. სარიმსაყოვა კომიოის როლში (იაშენის „ნურხონი").



ი. სარიშვილი.



მ. სარიანი. „არარატის ველი". 1952. კერძო კუთვნილება. მოსკოვი.

ამჟამად ს. და გ. ა. მ-ს ფართოდ იყენებენ მოსკოვში, ლენინგრადში, განსაკუთრებით სომხ. სსრ-ში.

ლიტ.: ნინუა გ., ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი, თბ., 1964; Шахназарян С. Х., Саакян Р. О., Саакян А. О., Возведение зданий методом подъема этажей и перекрытий, М., 1974. *გ. ნინუა.*

სართული გეოლოგიური, ზოგადი *სტრატიგრაფიული სკალის* ერთეული. ს-ში გაერთიანებულია გეოლ. *საუკუნის* განმავლობაში წარმოქმნილი ქანები. იყოფა ქრონოზონებად ან სტრატიგრაფიულ ზონებად. რამდენიმე ს-ის ერთობლიობა ქმნის გეოლ. *სექციას.*

სართულიანი ფერხული, ქართ. ხალხ. ცეკვა აგრარული ღვთაებისადმი მიძღვნილი წრიულად აგებული 2- და 3-ს. ფ. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ცნობილია მისი მრავალი სინონიმი: ორსართულა, ზემგრელო, აბარბარე, გერგეთულა, მზუჯიში, მირმიქელა და სხვ.

სარი, ქალაქი ირანში, მაზანდარანის ოსტანის ადმ. ცენტრი. 70,9 ათ. მკხ. (1977). რკინიგზით და საავტ. გზით უკავშირდება თეირანს. ბრინჯისა და ბამბის წმენდა. ჩაისა და თამბაქოს ფ-კები.

სარიანი გელამ ბაღდასარის ძე [12 (25). XII. 1902, თავრიზი, ირანი, — 14. XI. 1976, ერევანი], სომეხი საბჭ. პოეტი, სომხ. სსრ (1967) და უკრ. სსრ (1972) კულტ. დამს. მოღვაწე. 1922-იდან ცხოვრობდა სსრკ-ში. ლექსებს აქვეყნებდა 1919-იდან. ავტორია კრებულებისა „საბჭოთა ქვეყანა" (1930), „ქრიზანთემა" (1968, სომხ. სსრ სახელმწ. პრემია, 1970), პოემებისა აღმ. თემაზე და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეხმაურებოდა საბჭ. სომხეთში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ს. იყო სსრკ II, VI, VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სარიანი მარტიროს სარქისის ძე [16 (28). II. 1880, დონის ნახიჩევანი ახლანდ. დონის როსტოვის ფარგლებში, — 5. V. 1972, ერევანი], სომეხი საბჭ. მხატვარი. სსრკ სახ. მხატვარი (1960), სსრკ სამხატვრო აკად. (1947) და სომხ. სსრ მეცნ. აკად. ნ. წ. (1956), სოციალ. შრომის გმირი (1965). სომხ. სსრ მხატვართა კავშირის თავ-რე (1947—51). სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1897—1904), მუშაობდა *ვ. სეროვისა* და *კ. კოროვინის* სახელოსნოებში (1902—04). მონაწილეობდა გამოფენებში „*გოლუბაია როზა*", „*მირ ისკუსსტვა*" და სხვ. 900-იან წლებში შესრულებულ ნატურმორტებსა და პორტრეტების კომპოზიციებსა თუ დეკორ. გადაწყვეტაში იგრძნობა *ა. მატისისა* და *პ. გოგენის* გავლენა. 1910—15 იმოგზაურა თურქეთში, ეგვიპტესა და ირანში. 1921-იდან სომხეთში ცხოვრობდა.

ს-ის შემოქმედების მთავარი თემაა სომეხი ხალხის ცხოვრება. წარმატებით მუშაობდა პორტრეტის, ნატურმორტის, განსაკუთრებით პეიზაჟის ჟანრში. უმთავრესად იყენებდა ზეთის ფერწერის ტექნიკას. თავდაპირველად ს-ის კომპოზიციები ინარჩუნებდა დეკორ. სიბრტყობრიობას, შემდეგ კი მხატვრული ფერის დიდი ლაქების ნაცვლად ტონებს და ნახევარტონებს მიმართავდა. ბოლო ეტაპზე ნატურიდან დახატულმა სურათებმა ადგილი დაუთმო განზოგადებულ, მონუმ. პეიზაჟებს (სურათების ციკლი „ჩემი სამშობლო, 1952—58, ლენინური პრემია, 1961, სომხ. სურათების გალერეა, ერევანი). ს-მა შექმნა სომხ. მშრომელების, მეცნიერების, მუსიკოსების, საბჭ. არმიის მეომრების პორტრეტების მთელი გალერეა. ს. მუშაობდა მონუმ. ფერწერის დარგში (პანო პარიზის მსოფლიო გამოფენაზე საბჭ. პავილიონისათვის, 1937), იყო თეატრის მხატვარიც (სპენდიარიანის ოპერა „ალმასტი", ერევნის სპენდიარიანის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1938—39, სსრკ სახელმწ. პრემია, 1941). აღსანიშნავია მისი ილუსტრაციები სომხ. ზღაპრების კრებულისათვის.

თანამედროვე სომხ. ფერწერაში ს-მა შექმნა მთელი მიმართულება, რ-საც მშობლიური ქვეყნის პოეტური აღქმა უდევს საფუძვლად. მისმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი სომხ. ეროვნ. ხელოვნ. წინსვლას.

სსრკ II—IV მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Драмшян Р., Сарьян, [М.], 1964; Михайлов А. И., Мартирос Сергеевич Сарьян, М., 1958.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 65.

სარიალჩი, ქალაქი ყაზ. სსრ ჩიმქენთის ოლქში. სარიალჩის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, ტაშკენტიდან 20 *კმ.* ღვინის, ზეთსახდელი, მინერ. წყლების, კერამზიტის ქ-ნები, საგალანტერეო ფ-კა. ზოოვეტ. ტექნიკუმი. ბალნეო-თერაპიული კურორტი, სანატორიუმი, წყლით მკურნალობა.

სარიბარი, სოფელი კასპის რ-ნში (კოდისწყაროს სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლეხურის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 790 *მ*, კასპიდან 25 *კმ*. კოდისწყაროს მეთესლეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. კოდისწყაროში (3 *კმ*).

სარივონი, ქალაქი ჩრდ. კორეაში, კორ. სდრ-ში, მდ. ჩერიონგანის აღმ-ით. ჰუანხეპუქტოს პროვ. ადმ. ცენტრი. 50 ათ-ზე მეტი მკხ. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. მანქანათსაშ., საფეიქრო, კვების მრეწველობა. ს-ის მახლობლად არის ცემენტის ქ-ნა; იღებენ რკინის მადანს.

სარი-იშიქოთრაუ, ქვიშიანი უდაბნო ყაზ. სსრ-ში, ბალხაშის ტბის სამხრ-ით, მდ-ებს ილსა და ყარათალს შორის. უდაბნოს დას. ნაწილი დანაწევრებულია მდ. ილის ძვ. მშრალი ხევების კალაპოტებით, ე. წ. ბაკანასებით. რელიეფში ჭარბობს დამაგრებული სერული ქვიშები. დას-ით ხარობს საქსაულის რაყები, აღმ-ით — ჯუზღუნი, ტერესკენი, ეფედრები, ხეობებში — ტუგაის მცენარეულობა. იყენებენ ზამთრის საძოვრებად.

სარიმსაძთის ჟედი, ქედი სამხრ. ალთაიში, ყაზ. სსრ აღმ. ყაზახეთის ოლქში. სიგრძე დაახლ. 60 *კმ*, სიმაღლე 3373 *მ*-მდე (მთა ბურქითაული). აგებულია ეფუზივებით, ტუფებით, თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და გრანიტებით. არის მყინვარები. ჩრდ. კალთა ციცაბოა და ძალზე დანაწევრებული, შემოსილია ტყით; სამხრ. კალთა დამრეცია და დაფარულია ბუჩქოვანი მდელოებით. თხემზე სუბალპ. და ალპ. მდელოები და მთის ტუნდრაა.

სარიმსაყოვა ლუთფი (დ. 26. IV. 189 ყიშლაყი აქერი, ახლანდ. ფერღანის ოლ ქი), უზბეკი საბჭ. მსახიობი. სსრკ სა არტისტი (1967). სკკპ წევრი 1944-იდან პროფ. სცენაზე გამოსვლა დაიწყო 192 იდან. მუშაობდა ანდიჯანისა და ფერღანი თეატრებში. 1934—39 იყო უზბ. მუს. თ ატრის დასში, 1941—73 — უზბ. მუსიკ სახ. (ტაშკენტი) მუს. თეატრში. საუკეთ სო როლები: ქუმუშ-ხოლა, აისარა, კიმ (იაშენის „ორი კომუნისტი", „გულსარ „ნურხონი"), შირინი, იასუმანი (ხურშ დის „ფარჰად და შირინი"), მაისარა (ჰა ზას „მაისარას ოინები") და სხვ. 193 იდან იღებდნენ კინოში („საგმირო დალ პვა", 1955; „შენ ობოლი არა ხარ", 196 და სხვ). დაჯილდოებულია ლენინის ო დენით, შრომის წითელი დროშის ორდ ნითა და მედლებით.

სარისა (ბერძნ. sarisa — შუბი), მძი ქვეითი ჯარის ძირითადი შეიარაღე ძვ. მაკედონიაში. თავდაპირველად ს იყენებდნენ, როგორც სატყორცნ და ხე ჩართული ბრძოლის იარაღს. მისი სიგრ იყო დაახლ. 3 *მ*; მოგვიანებით 6—7 *მ*-მ გაიზარდა. ფალანგის წინა 6 მწკრივ მებრძოლებს ს-ები ჰქონდათ 6 *მ*-ზე წ წაშვერილი.

სარისუ, მდინარე ყაზ. სსრ ჯეზყაზღან სა და ყიზილ-ორდის ოლქებში. სიგრძე 6 *კმ*, აუზის ფართ. 81600 *კმ²*. წარმოიქ ნება მდ-ების ჟამან-სარისუსა და ჟაქს სარისუს შეერთებით, მიედინება ყა წვრილგორაკებში, ქვემოთში — ბეთფა დალის უდაბნოს დას. ნაწილში. წყლ საშ. ხარჯი შესართავიდან 382 *კმ*-ზე 7 *მ³/წმ*. ზემოთში და ქვემოთში შრება ივლ იდან იანვ. ჩათვლით. მუდმივი ჩამონადე აქვს მარცხ. შენაკად ყარაქენგირის შეე თების შემდეგ. იყენებენ სარწყავად და სა რეწვ. წყალმომარაგების მიზნით.

სარიტათა, სოფელი სამხრ. ოსეთის ა ჯავის რ-ნში (ყემულთის სოფსაბჭო), მ სარიტათის (ფაწის მარჯვ. შენაკად მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1710 *მ*, ჯავიდ 25 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზ სადგ.) 30 *კმ*. წონის მეხორცეობა-მერძ ვეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სო ყემულთაში (6 *კმ*). ბ-კა. სოფელში შ მორჩენილია XI ს. ქართ. ხუროთმოძღ რების ძეგლის — ერთნავიანი ეკლესი ნანგრევები.

სარიჟოლის ჟედი, ქედი აღმ. პამირშ სსრკ-ისა (ტაჯ. სსრ) და ჩინეთის საზღვა ზე. მდ-ების ტარიმის, ამუდარიისა და ყ რაქოლის ტბის აუზების წყალგამყოფ სიგრძე დაახლ. 350 *კმ*, სიმაღლე 63 *მ*-მდე (მთა ლიაეირდირი). უმთავრეს აგებულია კრისტ. ფიქლებითა და გრან ტოიდებით. ქედის ჩრდ. კალთებზე გა ყინვარების ფართობი სსრკ ფარგლებ 143,8 *კმ²*. კალთების ქვედა ნაწილი შ მოსილია ცივი მაღალმთის უდაბნოს მ ხერი მცენარეულობით.

სარიყამიშის ოპერაცია 1914—1 რუსეთის კავკასიის არმიის საბრძოლო მ მედება I მსოფლიო ომის (1914—18) დრ სარიყამიშის რ-ნში (ახლანდ. ყარსის ვილ იეთი, თურქეთი) 1914 წ. 9 (22) დეკ. 1915 წ. 4(17) იანვ. ოსმ. მე-3 არმიის სა დლობამ (სარდალი სამხ. მინისტ ენვერ-ფაშა, 127 ბატალიონი, 22 ცხენ სანთა ასეული, ქურთების კავკ. კორპუ და 271 ქვემეხი) ყარსის დაპყრობის მი ნით გადაწყვიტა კავკ. არმიის (მთავა სარდალი ი. ვორონცოვ-დაშკოვი, 1 ბატალიონი, 127 ცხენოსანთა ასეუ და 304 ქვემეხი) მთავარი ძალების (სარ ყამიშის რაზმი) გარემოცვა და განა გურება. რუს. ჯარებმა მოიგერიეს მო ნააღმდეგის შეტევები, თვით გადავიდ კონტრშეტევაზე, გაანდაგურეს ოსმ. მ არმია და საბრძოლო მოქმედება ოსმ. ტ რიტორიაზე გადაიტანეს. ოსმალებმა კარგეს დაახლ. 70 ათ. კაცი, რუსებმა დაახლ. 20 ათასი.

სარიყამიშის ძვაბული, გაუდინარი უდაბნო ქვაბული შუა აზიაში, ყარაყუმის უდაბნოსა და უსთიურთის პლატოს საზღვარზე (თურქმ. და უზბ. სსრ-ები). სიგრძე 125 *კმ*, სიგანე 90 *კმ*. ფსკერის ყველაზე დაბალი ნაწილი ზღვის დონეზე 38 *მ*-ით დაბლაა. ქვაბულის ცენტრ. ნაწილშია სარიყამიშის ტბები. ს. *ძ*. აგებულია ტბიური ნალექებით. ზედაპირი დაფარულია მლაშობებითა და ქვიშებით.

სარიშვილი ივანე ფაუსტის ძე [11. XII. 1912, სოფ. ასკანა, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 5. VI. 1977, თბილისი], ქართველი საბჭ. აგროქიმიკოსი, სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1948), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1958). ვ. ი. ლენინის სახ. საკავშ. სას.-სამ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1972). სკკპ წევრი 1940-იდან. დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი (1932). 1937-იდან საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრის დოცენტი იყო, ხოლო 1938—75 — აგროქიმ. კათედრის გამგე, 1949—56 — აგრონ. ფაკ-ტის დეკანი, ხოლო 1956—74 ამავე ინ-ტის რექტორი, 1974-იდან — სსრკ აგროქიმ. მომსახურების ცენტრ. ინ-ტის ამიერკავკ. ფილიალის დირექტორი. ს-მა საქართველოში პირველმა შეადგინა აგროქიმ. კარტოგრამა; გამოიკვლია წითელმიწა ნიადაგების გაკირიანების თეორ. და პრაქტ. საკითხები, შეისწავლა საქართვ. ტენიანი სუბტროპ. ზონის ნიადაგების ბუნება, ნიადაგის მიკროელემენტების გაწყიერება და სხვ. იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს IV—IX მოწვევების დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, ოქტ. რევ., „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: აგროქიმია, თბ., 1960 (თანაავტ.: ა. მენაღარიშვილი, ი. ნაკაიძე); აგრონომიული ქიმია საქართველოში, თბ., 1970 (თანაავტ.: გ. თოდუა).

გ. თოდუა.

სარიშვილი ტიტე საჩინოს ძე (დ. 17. XI. 1908, სოფ. გულიანი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი), ქართველი საბჭ. პედაგოგი, პედ. მეცნ. დოქტორი (1967-იდან), პროფესორი (1968-იდან), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). სკკპ წევრი 1939-იდან. 1933 დაამთავრა თსუ-ის პედ. ფაკ-ტი. 1936-იდან სხვადასხვა დროს იყო თელავის, ცხინვალის, გორის, ბათუმის პედ. ინ-ტების პედ. კათედრების გამგე. 1972-იდან თსუ-ის პედ. კათედრის პროფესორია. იკვლევს საქართვ. და ოსეთის პედ. აზრის ისტ., აღზრდის თეორ. სკოლათმცოდნეობის პრობლემებს.

თხზ.: ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური საკითხები, თბ., 1978; ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ცხინვ., 1968; სკოლათმცოდნეობის საკითხები, თბ., 1954.

დ. გურგენიძე.

სარიჩევის ვულკანი, მოქმედი ვულკანი კ. მატუაზე, კურილის კუნძულთა არქიპელაგში. სიმაღლე 1497 *მ*. უკანასკნელად ამოიფრქვა 1976. აგებულია ანდეზიტებითა და ბაზალტებით. სახელი ეწოდა რუსი ზღვაოსნის გ. სარიჩევის პატივსაცემად.

სარიხანოვი ნურმურად (1906, გოქთეფე, ახლანდ. ბახარდენის რ-ნი, თურქმ. სსრ, — 4. V. 1944, სოფ. დელაკეუსთან, ნოვიეანენის რ-ნი, მოლდ. სსრ), თურქმენი საბჭ. მწერალი, დიდი სამამულო ომის მონაწილე. 1929—37 სამხ. ჟურნალისტი იყო. მოთხრობებს წერდა თანამედროვე თემაზე. ძვ. კულტ. მემკვიდრეობის პატივისცემას ქადაგებს მისი მოთხრობები „წიგნი" (ცალკე გამოიცა 1951) და „შუქერ ბახში". ამ უკანასკნელს *დასთანის* ფორმა აქვს. ს. ფართოდ იყენებდა ხალხ. შემოქმედების ტრადიციებს.


ლიტ.: Кулиева Г. А., Нурмурат Сарыханов — новеллист, Аш., 1967.

სარკაზმი (ბერძნ. sarkasmos). მხატვრული ასახვის პროცესში კერძო პირის ან ცხოვრების მანკიერი, მხარეების, უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების მწარე, ღვარძლიანი დაცინვა. მას გესლის, ზიზღის გამომხატველ ირონიასაც ეძახიან. ს. დაუნდობლად ააშკარავებს სიმახინჯესა და გულქვაობას, ბოროტებასა და ფარისევლობას, ამორალიზმსა და მიზანთროპიას. აქაც, ისევე როგორც ყოველ კომიკურ ნაწარმოებში, კრიტიკა გამოიხატება სიცილის საშუალებით, რ-იც წარმოსახულ მოვლენას აფასებს დადებითი პოზიციიდან. ამიტომ მას იწვევს მოვლენაზე ამაღლების, მის მიმართ საკუთარი უპირატესობის შეგნება. ს-ის კომიკური ფერები ძალზე მკეთრია, ჭარბობს აღშფოთებისა და გულისწყრომის ტონი. ს. ფართოდ არის გავრცელებული როგორც მხატვრულ ლიტ-რაში, ისე საორატორო ხელოვნებაშიც. ს-ს მიმართავდნენ ციცერონი, ვერგილიუსი, ა. პუშკინი, კ. რილეევი, ნ. ნეკრასოვი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.

გ. ლომიძე.

სარკე, გაპრიალებული ზედაპირის მქონე სხეული, რ-საც შეუძლია სინათლის (მ. შ. სინათლის წყაროების) ოპტიკური გამოსახულების წარმოქმნა სინათლის სხივთა არეკვლით. ს. სხვადასხვაგვარია: ბრტყელი, რ-იც უაბერაციო გამოსახულებას იძლევა (იხ. *აბერაცია ოპტიკური სისტემებისა*), სხვადასხვა ფორმის ზედაპირის მქონე ჩაზნექილი და ამოზნექილი (ახასიათებს ყველა სახის აბერაცია, გარდა ქრომატულისა). ტექ. დანიშნულების მიხედვით ს-ებს ამზადებენ ვერცხლის, ოქროს, ალუმინის, პალადიუმის, პლატინის, ტყვიის, ქრომის, ნიკელისა და სხვ. ამ. რეკლი ფირფიტების გამოყენებით. ტექნიკაში ფართოდაა გავრცელებული ჩაზნექილი ს-ები, რ-ებსაც იყენებენ ტელესკოპებში, პროჟექტორებში, სამედ. რეფლექტორებში და სხვ. ლინზებთან ერთად ს-ები ქმნის ფართო ჯგუფს სარკულ-ლინზური სისტემებისას, რ-ებსაც იყენებენ ასტრონ., ფოტოგრ. და სხვ. ხელსაწყოებში (იხ. ნახ.).

ლიტ.: Тудоровский А. И., Теория оптических приборов, 2 изд., ч. 2, М.—Л., 1952.



ნახ. 1. ლითონური აუსკების არეკვლის კოეფიციენტები. ნებისმიერი ლითონიდან არეკვლა ძლიერ არის დამოკიდებული λ ტალღის სიგრძეზე: მისი გაზრდით არეკვლის R_λ კოეფიციენტი ზოგიერთი ლითონისთვის იზრდება 99%-მდი და უფრო მეტადაც.

სარკიანი ანტენა, ანტენა, რ-შიც მაღალსიხშირული ელექტრომაგნიტური ენერგიის დასაფოკუსებლად გამოყენებულია მრუდხაზოვანი ლითონის ზედაპირიდან (სარკიდან) სარკული არეკვლის მოვლენა. სარკის ზომა მნიშვნელოვნად აღემატება ტალღის სიგრძეს. ცნობილია ერთ-, ორ- და სამსარკიანი ანტენები. იყენებენ შემდეგი სახის ს. ა-ებს: პარაბოლურს, კასეგრენის ანტენას, რუპორულ-პარაბოლურს, პერისკოპულს და სხვ. იხ. აგრეთვე სტ. *ანტენა*.

სარკინე, დიდი მცხეთის უბანი, მცხეთის კალოუბნის დას-ით მდებარე ე. წ. ჯოჯოხეთის ხევიდან შიომღვიმის მისადგომებამდე — სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე. ძვ. ქართ. საისტ. წყაროების მიხედვით, ს. დიდი მცხეთის უბნად ან დაბოუკიდებელ ქალაქად არის მიჩნეული. არქეოლ. გათხრები არ იძლევა საფუძველს მცხეთის დედაქალაქობის ხანაში, ან უფრო გვიან, ს. დამოუკიდებელ ქალაქად მივიჩნიოთ. არქეოლ. ძიებამ (ნ. ღამბაშიძე) და გათხრებმა (ა. აფაქიძე, გ. გობეჟიშვილი, ა. ბოხოჩაძე, ა. სიხარულიძე) ძვ. დედაქალაქის ლითონის სახელოსნო უბნის 2 ნაწილი გამოავლინა: ა. ლითონის (რკინის, ტყვიის) საწურ და სადნობ ქურათა ნანგრევები გრძელ მინდორზე და ბ. უბნის სამლოცველო-კულტის ადგილი სავანეთის ქედზე, სადაც 50-იანი წწ. I ნახევარში დიდი კარიბჭე გათხარეს (გ. გობეჟიშვილი), 70-იან წლებში აქ აღმოჩნდა ტერაკოტული ნიღბები (ა. ბოხოჩაძე), ხოლო 1980 — კარიბჭიდან ქედის ტოტს აყოლილი ალიზის გალავანი (ა. სიხარულიძე, ა. აბუთიძე). როგორც არქეოლ. აღმოჩენები გვიჩვენებს, ელინისტურ და მომდევნო ხანაში სახელოსნო უბანი და საკულტო ადგილებიც გალავან-კოშკებითა და კარიბჭით ყოფილა გამაგრებული. სახელოსნო უბანზე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ლითონის წიდა, რკინის ქვისაგან გამოწურული ლუგვი („სადედნე" და „სახელადე") რკინა; რკინის საწური ბრძმედისა და ლითონსადნობი ქურის ნანგრევები; ერთ ქურაში რკინას წურავდნენ, მეორეში — ტყვიას ადნობდნენ, მესამეში — სპილენძს. სახელოსნოს დას. ნაწილში საოქრომჭედლო ყოფილა გამართული. აღმოჩენილია საოქრომჭედლო ტიგელები და მცირე ტიგელები. რკინის გამოსაწური ქურის ძირზე დარჩენილია რკინის წიდა, ხოლო ტყვიის გამოსადნობი ქურის ძირზე თითქმის სუფთა (98%) ტყვიაა დაღვენთილი.

მრავალფეროვანია ს-ის სახელოსნოების ნაწარმი: რკინის ცულები, ქვის სათლელების ნამზადები, რკინის ნაირნაირი ხელსაწყო-იარაღი, ქურის გამოსაწმენდი რკინისტარიანი ნიჩაბი, ბრინჯაოს ისრისპირები, რ-ებიც ხანძრის დროს ხელახლა გადამდნარა. როგორც ჩანს, ს. დედაქალაქს ამარაგებდა ლითონის იარაღით, აბჯრით და საოქრომჭედლო ნაწარმითაც.


ალიზის ზღუდეებისა და კოშკების, ქვათლილებით ნაგები კარიბჭისა და რკინის ბჭის კარის, ჩუქურთმიანი ხუროთმოძღვრული ელემენტების, მელითონეთა სახელოსნოებისა და საკულტო-სასახიობო ტერაკოტული ნიღბების აღმოჩენა მიუთითებს „მუხნარით კერძი ქალაქის" ამ უბნის მნიშვნელობაზე. არქეოლ. აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ ს. ტიპურია დიდი მცხეთის სხვა უბანთა (არმაზციხე, წიწამური, საპიტიახშო და სხვ.) გვერდით.

ლიტ.: აფაქიძე ა., მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959; მისივე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, [წგნ.] 1, თბ., 1963; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.


ა. აფაქიძე.

სარკინეთი, სოფელი დმანისის რ-ნში, გომარეთის პლატოზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., განახლება, ველისპირი, იაილა). ზ. დ. 1400 *მ*, დმანისიდან 28 *კმ*. განახლების მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო - სამეანო პუნქტი. ს-ში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები: წმ. ბარბარეს (განვითარებული შუა საუკ.) და წმ. ბასილის (VIII—IX სს.) ეკლესიები. ორივე ძეგლზე ქართ. ასომთავრულით შესრულებული ლაპიდარული წარწერებია.

სარკინიგზო სიგნალიზაცია, ხილული და ბგერითი სიგნალების სისტემა, რ-ითაც გადასცემენ ბრძანებებსა და მითითებებს მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო სამუშაოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ხილული სიგნალებია: მუდმივი (შუქნიშნები, სემაფორები, სამანევრო დაფები, მაფრთხილებელი დისკოები), გადასატანი (ფარები, ალმები, ფარნები, დისკოები).



ნახ. 2



ნახ. 3.

სარკე. სხივთა კონას პომოცენტრულს უწოდებენ, თუ თვით სხივები ან მათი გაგრძელებანი ერთ წერტილში გადაიკვეთება. თუ რომელიმე ოპტიკური სისტემის გავლისას სხივთა პომოცენტრული კონა კვლავ პომოცენტრული რჩება, მაშინ ობიექტის თითოეულ წერტილს შეესაბამება გამოსახულების ერთი გარკვეული წერტილი და ოპტიკური სისტემა ზუსტად აღწარმოებს ობიექტის ფორმას.


ბრტყელ სარკეში წერტილოვანი ნამდვილი წყაროს გამოსახულება წარმოსახვითია და მდებარეობს სარკის უკან (ნახ. 2 ა), ხოლო წარმოსახვითისა ნამდვილია და მდებარეობს სარკის წინ (ნახ. 2 ბ). არეკვლის კანონის გამოყენებით მტკიცდება, რომ ობიექტი და გამოსახულება სიმეტრიულია სარკის მიმართ ($|OS| = |OS'|$). ბრტყელი სარკე ერთადერთი ოპტიკური სისტემაა, რომელიც უაბერაციო გამოსახულებას იძლევა (პომოცენტრული კონა არეკვლის შემდეგ კვლავ პომოცენტრული რჩება), რამაც განაპირობა მისი ფართო გამოყენება.

(გაგრძელება იხ. გვ. 108).

(გაგრძელება)

S ობიექტისა (საგნის) და მისი S′ გამოსახულების მდებარეობები, რომლებსაც იძლევა სფერული (ან პარაბოლოიდური, ან სიმეტრიის ღერძის მქონე სხვა ზედაპირი) სარკე დაკავშირებულია მის p წეროში სიმრუდის r=OP რადიუსთან $\frac{1}{d}+\frac{1}{f}=\frac{2}{r}$, სადაც d და f არის მანძილები სარკის წეროდან შესაბამისად ობიექტამდე და მის გამოსახულებამდე, ეს ფორმულა მკაცრად მართებულია მხოლოდ პარაქსიალური სხივებისათვის. თუ ობიექტი უსასრულობაშია (d=∞), მაშინ f უდრის ფოკუსურ მანძილს $f=F=\frac{r}{2}$; $\frac{1}{F}=\frac{2}{r}$. სიდიდეს სარკის ოპტიკურ ძალას უწოდებენ. d, f და F სიდიდეები განიხილება ალგებრულად, რაც საშუალებას გვაძლევს ერთი სახით წარმოვადგინოთ ამოზნექილი (ნახ. 3 ა) და ჩაზნექილი (ნახ. 3 ბ) სარკეების (ისევე როგორც ამოზნექილი და ჩაზნექილი ლინზების) ფორმულები. ნამდვილ ობიექტსა (განშლადი კონა) და ნამდვილ გამოსახულებას შეესაბამება d და f დადებითი მნიშვნელობები, ხოლო წარმოსახვით ობიექტსა და წარმოსახვით გამოსახულებას — მათი უარყოფითი მნიშვნელობები.

ამოზნექილი სარკისათვის F<0, ხოლო ჩაზნექილისათვის — F>0. ობიექტის რაიმე წერტილის ასაგებად ხელსაყრელია ნახაზებზე ნაწევნები ოთხი სხივიდან ავიღოთ რომელიმე ორი სხივი.



სარკული ასახვა.



საისტატო. ოქროს გვირგვინი ხოხლაჩის გორასამარხიდან. ძვ. წ. I ს.—ახ. წ. I ს.

ძირითადი სასიგნალო ფერებია წითელი, ყვითელი და მწვანე. მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებულ სიგნალიზაციაში წითელი ფერი ნიშნავს მოძრაობის აკრძალვას, ყვითელი — მოძრაობისას სიჩქარის შემცირებას, მწვანე — მოძრაობის უფლების დართვას. იყენებენ აგრეთვე ლურჯ და სხვადასხვა ელფერის თეთრ სინათლეებს (ნორმალურად ანთებულს, ნორმალურად აუნთებს, მოციმციმეს და არამოციმციმეს). გამოყენების დროის მიხედვით ხილული სიგნალები არის დღელამური, დღისა და ღამის. ბგერითი სიგნალები გაიცემა ლოკომოტივებისა და ხელის სასტვენებით, სტაციონარული ზარებითა და პეტარდებით.

სარკინოზი, იხმარებოდა არაბების ალსანიშნავად (ერთ-ერთი არაბული ტომის სახელწოდებიდან). საერთოდ, მაჰმადიანები.


სარკისებარი ბირთვები, წყვილი ბირთვებისა, რ-ებიც ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ პროტონებისა და ნეიტრონების ერთნაირი ჯამური რიცხვის დროს ერთ-ერთი მათგანის ნეიტრონების რიცხვი უდრის მეორის პროტონების რიცხვს. ს. ბ-ის მაგალითებია: $^{3}_{1}H$ ტრიტიუმის ბირთვი (შეიცავს 1 პროტონსა და 2 ნეიტრონს) და $^{3}_{2}He$-ის ბირთვი (შეიცავს 2 პროტონსა და 1 ნეიტრონს), აგრეთვე $^{7}_{3}Li$—$^{7}_{4}Be$, $^{14}_{6}C$—$^{14}_{8}O$ (იხ. *ატომის ბირთვი, იზოტოპები*).

სარკოდინები, (Sarcodina), უხერხემლო ცხოველთა კლასი უმარტივესთა ტიპისა. მოძრაობენ *ფსევდოპოდიებით*. ს-ის უმრავლესობა თავისუფლად მცხოვრები ფორმებია. შეიცავს 3 ქვეკლასს: *ფესვფეხიანებს, სხივარებს* და *ფორამინიფერებს*.

სარკომა (ბერძნ. sarx, ნათ. ბრ. sarkos— ხორცი და ...*ომა*) ავთვისებიანი სიმსივნე, რ-ის განაკეთი თევზის უმ ხორცს წააგავს, ვითარდება შემაერთებელი ქსოვილის რომელიმე სახისაგან (კუნთოვანი ძვლოვანი, ხრტილოვანი, ლორწოვანი, ცხიმოვანი). ს. შეადგენს ავთვისებიანი სიმსივნეების 10%. იყოფა ორ ძირითად ჯგუფად. I ჯგუფის ს. შედგება სრულიად უმწიფარი შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედებისაგან, რ-ებსაც დაკარგული აქვს უჯრედშუა ძირითადი სუბსტანციის გამომუშავების უნარი. ამ უჯრედების ფორმის მიხედვით განარჩევენ მრგვალუჯრედოვან, თითისტარაუჯრედოვან და პოლიმორფულუჯრედოვან ს-ს. ს-ის ეს ჯგუფი განსაკუთრებით ავთვისებიანი მიმდინარეობით ხასიათდება. II ჯგუფს განეკუთვნება ს., რ-ის სიმსივნურ უჯრედებს შერჩენილი აქვთ უჯრედშუა ძირითადი სუბსტანციის გამომუშავების უნარი. ამ სუბსტანციის მიხედვით განარჩევენ ფიბროსარკომას, ოსტეოსარკომას, ქონდროსარკომას, მიქსოსარკომას, ლიპოსარკომას; ეს ჯგუფი ნაკლებად ავთვისებიანია. უფრო ხშირად ს. ვითარდება ძვალში, შემდეგ — რბილ ქსოვილში; მას მკვეთრად აქვს გამოხატული ირგლივ ქსოვილებში ჩაზრდის უნარი. ს-ის უჯრედები ჩვეულებრივ ვრცელდება სისხლით, რის გამოც ხშირია *მეტასტაზები* დაშორებულ ორგანოებში (ამით ს. განსხვავდება კიბოსაგან, რ-იც უპირატესად ლიმფური გზით ვრცელდება). ს-ის დიაგნოსტიკა და მკურნალობა ძირითადად ისეთივეა, როგორიც სხვა ავთვისებიანი *სიმსივნეების* დროს. *ლ. შარაშიძე.*

„სარკოფაგების ტექსტები“, ძვ. ეგვიპტეში ხის სარკოფაგებისა და კერძო პირების ზოგიერთი აკლდამის კედლებზე წარწერილი სულისმოსახსენებელი მაგიური ტექსტები. შემორჩენილია აგრეთვე 3 პაპირუსის სახით. „ს. ტ.“ ძირითადად შუა სამეფოს პერიოდს (დაახლ. ძვ. წ. 2040, — ძვ. წ. 1785) განეკუთვნება. „პირამიდების ტექსტებისაგან“ განსხვავებით, „ს. ტ-ის“ დანიშნულებაა არა მარტო ფარაონის, არამედ ჩვეულებრივი მიცვალებულის დაცვა საიქიოს მრისხანე ძალებისაგან. შემდგომში ზოგიერთი ტექსტი „მიცვალებულთა წიგნს“ დაედო საფუძვლად. „ს. ტ-ის“ საუკეთესო გამოცემაა A. De Buck, The Egyptian Coffin texts. v. 1—7. Chi., 1935—62; თარგმანი: L. Speleers, Textes des cercueils du Moyen Empire égyptien, Brux., 1946.

სარკოფაგი (ბერძნ. sarkophagos, სიტყვასიტყვით — ხორცის შთამნთქმელი <sarx ნათ. ბრ. sarkos — ხორცი და phagos — შთამნთქმელი; თავდაპირველად ერქვა კირქვის ერთ-ერთ სახეობას, რ-იც თითქოსდა ანადგურებდა გვამს), კუბო, მცირე აკლდამა ძვ. ხალხებში; ფართო გაგებით ნებისმიერი არქიტ. და მხატვრულად გაფორმებული კუბო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ. ეგვიპტური, ეტრუსკული, ელინისტური, ძვ. რომაული, ადრინდ. შუა საუკ. ს-ები. ხშირად ამკობდნენ რელიეფებითა და არქიტ. დეკორით. ანტ. ეპოქის ს-ების ტიპი ვითარდებოდა რენესანსისა და ბაროკოს ეპოქაში.



სარკოფაგი. აღექსანდრე სიდონელის ე. წ. სარკოფაგი. მარმარილო. დაახლ. 325 — 310 ძვ. წ. არქეოლოგიური მუზეუმი, სტამბოლი.

სარკოცისტოზი, სარკოსპორიდიოზი, შინაური და გარეული ცხოველების (ზოგჯერ ადამიანის) უსიმპტომოდ მიმდინარე ქრონიკული ინვაზიური დაავადება, რ-საც იწვევს ერთუჯრედიანი პარაზიტი-სარკოცისტი. ს-ის დროს კუნთოვან ქსოვილში წარმოიქმნება ენდოზოიტებით სავსე ცისტა. ძლიერი ინვაზიის შემთხვევაში ვითარდება სიკოჭლე, ენდომიოკარდიტი, დამბლა. თუ ცხოველი ძლიერაა დაზიანებული ნაკლავის გამოყენება მხოლოდ ტექ. მიზნით შეიძლება. მკურნალობის მეთოდი ჯერჯერობით არ არის შემუშავებული. ს-ის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცხოველის კვებისა და მოვლა-პატრონობის ზოოპიგიენური წესების დაცვა.

ჯ. ბურთიკაშვილი.

სარკული ასახვა მოცემული α სიბრტყის მიმართ, გარდაქმნა, რ-ის დროს α სიბრტყის ერთ მხარეს მოქცეულ *P* წერტილს ეთანადება α სიბრტყის მეორე მხარეს მდებარე *P′* წერტილი ისე, რომ α სიბრტყე *PP′* მონაკვეთის პერპენდიკულარულია და გადის მის შუა წერტილზე. ს. ა. უძრავად ტოვებს α სიბრტყის წერტილებს. ანალოგიურად განისაზღვრება სიბრტყის ს. ა. მისი მოცემული წრფის მიმართ. იხ. აგრეთვე *სიმეტრია*.

სარმანიშვილისკარი, სოფელი ხაშურის რ-ში (ქვიშხეთის სოფსაბჭო), მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 720 *მ*, ხაშურიდან 17 *კმ*. ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ქვიშხეთში (4,5 *კმ*).

სარმატები (ლათ. Sarmatae), საერთო სახელი ირანულენოვანი ტომებისა, რ-ებიც ძვ. წ. III — ახ. წ. IV ს-ში განსახლებული იყვნენ მდ-ებს დუნაისა და ტობოლს შორის მდებარე სტეპებში. ს-ის უძველესი ისტორია დაკავშირებულია სავრომატებთან, რ-თა შორის ჩამოყალიბდა ტომთა დიდი კავშირები. ს-ის ძირითად საქმიანობას მომთაბარე მესაქონლეობა შეადგენდა. ძვ. წ. III—II სს-ში მათ აითვისეს ჩრდ. კავკასია. მონაწილეობდნენ ბოსფორის სამეფოს შინაომებში და დასახლდნენ მის ქ-ებში. ახ. წ. I ს-ში ალაშქრეს ამიერკავკასიაში, გამოჩნდნენ დუნაიზე და რომის იმპერიის საზღვრებთან დასახლდნენ. ახ. წ. I საუკუნეებში დაწინაურდნენ *ალანები*. ჩრდ. შავიზღვისპირეთში ს-ის ბატონობა შეარყიეს *გუთებმა*, შემდეგ *ჰუნებმა*. მათთან ერთად ს-ის ნაწილი მონაწილეობდა *ბალხთა დიდ გადასახლებაში*. ჩრდ. კავკასიაში დარჩენილი ს. შეერივნენ ადგილ., ძირითადად თურქულენოვან ტომებს. ოსი ხალხის შემადგენლობაში ს-ებმა შეინარჩუნეს თავისი ენის თვითმყოფადობა (იხ. *ოსური ენა*).

სარმიენტო (Sarmiento) დომინგო ფაუსტინო (14. II. 1811, სან-ხუანი, არგენტინა, — 11. IX. 1888, ასუნსიონი, პარაგვაი), არგენტინელი მწერალი. სახელი გაითქვა თხზულებით „ფაკუნდო“ (1850), რ-იც მიჩნეულია არგენტ. რომანტ. სკოლის შედევრად და ფილოს.-სოც. ხასიათის ბრწყინვალე გამოკვლევად. ავტორია აგრეთვე პედ., სოც., ფილოს., ისტ. და იურიდ. თხზულებებისა.

სარნი, ქალაქი (1939-იდან) უკრ. სსრ როვნოს ოლქში, მდ. სლუჩის (დნეპრის ჯუზი) ნაპირზე. სარნის რ-ნის ცენტრი. ჟარკინიგზო კვანძი. კარაქის, კომბინირებული საკვების, სარემონტო-მექან., რკინაბეტონის ნაწარმთა ქ-ნები, ავჯღის ფ-კა.

სარნია (Sarnia), ქალაქი კანადაში, ონტარიოს პროვინციაში. 51 ათ. მკ. (1981) ნავსადგური მდ. სენტ-კლერისა და ჰურონის ტბის ნაპირზე. სარკინიგზო განშტოებით უკავშირდება ქ. პორტ-ჰურონს (აშშ). კანადის ნავთობქიმ. მრეწვ. ცენტრი. სინთეზური კაუჩუკის, მისი ნაკეთობებისა და სხვა ქიმ. საქონლის წარმოება.

სარო, მარადმწვანე წიწვოვანი ხე კეიპაროზისებრთა ოჯახისა. იგიეკე, რაც *კეიპაროზი*.

სარო, სოფელი ასპინძის რ-ნში (ხიზაბავრის სოფსაბჭო), მდ. მტკვრის ხეობაში, ზ. დ. 1480 *მ*, ასპინძიდან 17 *კმ*. ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა), ხის სახერხი საამქრო. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფრენლო-სავიანო პუნქტი. მოიპოვება ბაზალტი და ანდეზიტი.

საროიანი (Saroyan) უილიამ (31. VIII 1908, ფრესნო, კალიფორნია, — 18. V. 1981) ამერიკელი მწერალი. დაიბადა სომეხ ემიგრანტთა ოჯახში. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა 1933 ბოსტონში ამერ. სომეხთა ყოველკვირეულ ჟურნ. „ჰაირენიქში“. მისი მოთხრობებისა („მამაცი ჭაბუკი მფრინავ ტრაპეციაზე“, 1934; „ამერიკის მკვიდრი“, 1938) და ავტობიოგრ. რომანების („ადამიანური კომედია“, 1943; „უცნაური ჯექსონის თავგადასავალი“, 1946; „ველოსიპედისტი ბეევერლი-ჰილზზე“, 1952) გმირი უმთავრესად ემიგრანტთა წრიდანაა გამოსული და თითქმის გაიგივებულია ავტორთან. ს-ს ეკუთვნის სხვა მრავალი მოთხრობა, რომანი, პიესა („თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები“, 1939, პულიცერის პრემია) და სხვ. რამდენჯერმე იმოგზაურა სსრკ-ში.

თხზ.: The W. Saroyan reader, N. Y., 1958; 60 миль в час. Рассказы, М., 1958; მოთხრობები, წგნ.: ამერიკული ნოველა, ტ. 2, თბ., 1968.

საროსი (ბერძნ. saros), დროის პერიოდი, რ-ის შემდეგ მთვარის, მზისა და მთვარის ორბიტის კვანძების ურთიერთმდებარეობის გამეორების გამო ერთი და იმავე თანამიმდევრობით მეორდება *მზის დაბნელებები* და *მთვარის დაბნელებები*. ცნობილი იყო ახ. წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ეგვიპტესა და ბაბილონეთში. დაახლ. ეტოლება 6585 1/3 დღე-ღამე. ი. ≈18 წ და 11 დღე-ღ. ს-ის მიხედვით ძველთაგანვე მიახლოებით წინასწარმეტყველებდნენ დაბნელების დადგომის მო-

ენტს. დაბნელებათა რაოდენობა ს-ის ხვადასხვა ციკლში რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან (საშუალოდ 43 წლისა და 28 მთვარის დაბნელება).

საროტი (Sarraute, ქალიშვილობის გვარი ჩერნიაკი) ნატალი (დ. 18. VII. 900, ივანოვო-ვოზნესენსკი), ფრანგი მწერალი; *„ახალი რომანის"* ერთ-ერთი ფუძემდებელი. რომანებში „უცნობის პორტრეტი" (1949), „მარტერო" (1953), „პლანეტარიუმი" (1959), „ოქროს ნაყოფები" (1963). „სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე" (1968), „თქვენ გესმით მათი?" (1972) მან სცადა წარმოეჩინა ადამიანის ფსიქიკის პირველადი, არაცნობიერი რეაქციები, რასაც თავად „ტროპიზმებს" უწოდებს (კრებ. „ტროპიზმები", 1939). სოც.-და საზ. ყოფიერების მიღმა არსებული „ფსიქოლოგიური სუბსტანციის" ძიებას წერალი მიჰყავს რომანის ტრად. კომპონენტების — გმირის, ინტრიგის, ქრონოლოგიის, ხასიათის უარყოფამდე. ს-ს ეკუთვნის მნიშვნელოვანი თეორ. შრომებიც.

სარპის ტბები, მომლაშო ტბები მდ. ვოლგის მარჯვენა ნაპირეთში, ერგენების ქედსა, რსფსრ ვოლგოგრადის ოლქსა და ალმ. ასსრ-ში. ყველაზე დიდებია: სარპა — ფართ. 42,6 $км^2$, ბარმანცაკი — 25,8 $км^2$, ცაგან-ნური—23,5 $км^2$, ბათირ-მალა—11,9 $км^2$ (ტბების ფართობი ძალზე ცვალებადია). უმთავრესად საზრდოობენ ვოლგის წყლით. გაზაფხულზე ერთმანეთს უკავშირდებიან ფშანებით. ზაფხულობით ვითქმის ყველა შრება. ზოგიერთი ტბის წყალს ხმარობენ. ს. ტ-ის რ-ნში შექმნილია არპის გამაწყლოვანებელი სისტემა.

სარჩა (იტალ. sargia, ფრანგ. serge < ლათ. sericus — აბრეშუმისა), 1. ნატურალური ან ქიმიური ბოჭკოებისაგან სარჩის ხლართებით მიღებული ქსოვილი; ძირითადად ერთფრად შეღებილი და დაჩითული; იყენებენ სასარჩულედ, საკაბედ და სხვ.; 2. სარჩის ხლართების შემოკლებული სახელწოდება.

სარსანია ქსენია (ქიონია) პავლეს ასული (14. IX. 1903, სოფ. ჯოლეჯაიანი, ბლანდ. სოფ. ინგირი, ზუგდიდის რ-ნი, — 3. VI. 1971, იქვე), ზუგდიდის რ-ნის სოფ. ინგირის კოლ-ბის მეჩაიე. სკკპ წევრი 1940-დან. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1940 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება, 1946—სრ. სახელმწ. პრემიის ლაურეატობა. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით და მედლებით.

სარსუელა (ესპ. zarzuela), ესპანური ოპერის ჟანრი. სახელწოდება წარმოდგება მადრიდის მახლობლად მდებარე სამეფო ციდან, სადაც ხშირად იდგმებოდა ამ ჟანრის ოპერები. იხ. სტ. *ესპანეთი*, მუსიკა.

სარტი (Sarti) ჯუზეპე (მონათლულია 1. XII. 1729, ფაენცა, — 28. VII. 1802, ბერგამო), იტალიელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი. პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1796). ჯ. მარტინის მოწაფე. მოღვაწეობდა იტალ. ქალაქებში, კოპენჰაგენში, 1784-იდან — რუსეთში (სასახლის კაპელმაისტერი; 1787—91 მუშაობდა გ. პოტიომკინის კარზე). ავტორია ბრავალი ოპერისა და პათეტიკურ-სადიდებელი ხასიათის ჰიმნისა. მის მოწაფეთა შორის იყვნენ ს. დავიდოვი, ს. დეგტიარიოვი, დ. კაშინი, აგრეთვე ლ. კერუბინი.

ლიტ.: Иванов-Борецкий М. В., Д. Сарти в России, კრ.: Музыкальное наследство, в. 1, М., 1935.

სარტო (Sarto) (ნამდვ. გვარი დ'ანიელო, d'Agnolo) ანდრეა დელ [16. VII. 1486, ფლორენცია, — 28 (ან 29), IX, 1530, იქვე], იტალიელი ფერმწერი. ფლორენციული ე. წ. მაღალი აღორძინების თვალსაჩინო წარმომადგენელი. *პიერო დი კოზიმოს* მოწაფე იყო. განიცადა ფრა *ბართლომეოს, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოსა* და *რაფაელის* გავლენა. 1518—19 საფრ. მეფის ფრანსუა I-ის მიწვევით ცხოვრობდა პარიზში. ს-ს ნაწარმოებებს ახასიათებს დახვეწილი კომპოზიცია, ჰარმონიულობა, თუმცა მათში არ იგრძნობა ფსიქოლ. სიღრმე, დრამატიზმი. ფერთა შეხამებით ს. გადმოსცემს შუქ-ჩრდილის ეფექტს. ს-ს შემოქმედებაში შეინიშნება იდეალიზაციის ტენდენცია. ნამუშევრები: სანტისიმა-ანუნციატას ეკლესიის (1510 — 15), სან-სალვატორის (1520-იანი წწ. დასასრ.) და სკალცის (1515—26) მონასტრების ფრესკები ფლორენციაში.

სარტრი (Sartre) ჟან პოლ (21. VI. 1905, პარიზი, 17. IV. 1980, იქვე), ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. 1933—34 გერმანიაში სწავლობდა ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიასა და მ. ჰაიდეგერის ონტოლოგიას, რის საფუძველზეც მოგვიანებით ჩამოაყალიბა საკუთარი „ათეისტური ეგზისტენციალიზმის" მოძღვრება ს. ფრანგ. ლიტ. და ფილოს. ეგზისტენციალიზმის უდიდესი წარმომადგენელია. მისი ეგზისტენციალისტური კონცეფციები მოცემულია ფილოს. ნაშრომებში „ყოფიერება და არარა" (1943), „დიალექტიკური გონების კრიტიკა" (1964) და სხვ. მან. კ. მარქსის გავლენაც განიცადა. ს-ის ლიტ. შემოქმედება, ეგზისტენციალისტური მსოფლაღქმა წარმოიშვა ფილოს. ეგზისტენციალიზმის საფუძველზე, თუმცა ხშირად მისი ფილოს. თეორია ეწინააღმდეგება მისსავე ლიტ. ეგზისტენციალიზმს. ს-მა ეგზისტენციალიზმის ძირითადი საკითხები — მარტოობა, შიში, თავისუფლება, პასუხისმგებლობა და სხვ. — სისტემაში მოიყვანა, დაალაგა და სცადა მათი ახსნა როგორც ფილოს., ისე ლიტ. ასპექტში. მან ცენტრში მოაქცია ინდივიდის სრული თავისუფლების საკითხი; მისთვის მთავარი ობიექტი არის კონკრ. ადამიანი და მისი ცნობიერება. ადამიანი არის ეგზისტენცია, რ-იც თვითონ ქმნის თავისი არსებობის კონკრ. სახეებს. მისი არსებობა წინ უსწრებს მის არსებას; ადამიანი თავის საფუძველში ეგზისტენციალური თავისუფლებაა, იგი „დაწყევლილია თავისუფლებით". რაც ადამიანი არ ირჩევს რაიმეს, მაშინაც არარაჩევას ირჩევს. ამიტომ იგი თვითონვეა პასუხისმგებელი თავის ცხოვრებაზე. „ისტორიული" ადამიანი თვითონ ქმნის და ანადგურებს ღირებულებებსა და იდეალებს; ადამიანის ცნობიერების თავისებურება არარაში დგომაა. მისი ცხოვრება უსარგებლო ვნებაა, აბსურდულია მისი დაბადებაც და სიკვდილიც; ს-ის ეთიკა უკიდურესად ინდივიდუალისტურია; რადგან ღმერთი არ არსებობს, ამიტომ ყველაფერი შესაძლებელია. მისი დასკვნით, ეგზისტენციალიზმი არის ოპტიმისტური, აქტიური, მოქმედი, ჰუმანური და სოც. მოძღვრება. ს-ის მსოფლმხედველობა, მისი კონცეფციები თვალსაჩინოდაა გადმოცემული რომანში „გულძიდვა" (1938), რ-იც მწერლის „არსებობის ფილოსოფიის" მხატვრული განხორციელების პირველი ცდა იყო, მოთხრობების კრებულში „კედელი" (1939, „ოთახი", „ინტიმურობა", „ჰეროსტრატე", „კედელი", „ბელადის ბავშვობა"), რ-შიც განსაკუთრებული სიმძაფრითაა დასმული ეთიკის პრობლემები, დაუმთავრებელ ტეტრალოგიაში „თავისუფლების გზები" („დავაჟკაცება", 1945; „გადავადება" 1945; „სიკვდილი სულში" 1949). ს-ის ღრმად ფილოს. პრობაში ვხვდებით ურიცხვ ანალოგიას, გადაბმევას, მსგავსებას; მეტაფიზ. ფიქრები ერწყმის პუბლიცისტიკას, იგავი — საჟურნალო პამფლეტს, რეპორტაჟს. ს-ის დრამატურგია ინტელექტუალური, პრობლემატური და იდეოლოგიურია, მასში წამყვანია ეპიკურ-ანალიტიკური ხაზი. იგი ხშირად იყენებდა ანტ. სიუჟეტებს, რ-ებშიც თანამედროვეობის სულს დებდა. ს-ის პიესებიდან მნიშვნელოვანია „ბუზები" (1943), „დაუმარხავი მკვდრები" (1946), „ჭუჭყიანი ხელები" (1948), „ეშმაკი და უფალი ღმერთი" (1951), „მხოლოდ სიმართლე" (1955), „ალტონელი ტუსაღები" (1960) და სხვ. ანტიფაშისტი და ჰუმანისტი მწერალი ფილოსოფიაში ამაოდ ცდილობდა მარქსისტულ ფილოსოფიასთან „ეგზისტენციალისტური კავშირის" დამყარებას.

თხზ.: Пьесы, М., 1967.

ლიტ.: თევზაძე გ., ჟ. პ. სარტრი, წგნ.: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970; Бакрадзе М. К., Эволюция мировоззрения Ж.-П. Сартра по его литературным произведениям, Тб., 1964; Филиппов Л. И., Философская антропология Жан-Поля Сартра, М., 1977; Шкунаева И., Современная французская литература, М., 1961.

რ. გორდეზიანი.



უ. სარояნი.

სარტყელა, სოფელი ხაშურის რ-ნში (ხალების სოფსაბჭო), ფრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 880 *მ*, ხაშურიდან 17 *კმ*. ხაშურის რ-ნის სამეურნეოობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანება. საშ. სკოლა სოფ. ხცისში (4 *კმ*).

სარტყელი, კოსტიუმის ელემენტი, წელზე შემოსაკრავი. შეიძლება იყოს ქსოვილის, ტყავისა და ლითონის. ქსოვილის (აბრეშუმი, ხავერდი), ოქრომკედითა და მარგალიტებით ნაქარგ, ტოტებიან ს-ს ქართულ კაბაზე შემოირტყამდნენ. ქალისთვისვე იყო განკუთვნილი ვერცხლის თოლებით შემკული, უმთავრესად ფილიგრანული ტექნიკით შესრულებული ს. მასიური ვერცხლის მძიმე ბადიან ანუ გობაკიან ს-ს ქალაქის ხელოსნები და წვრილგაჭრები ატარებდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული ვერცხლის აბზინდით, კოლებითა და ენებით შემკული ე. წ. „იმერული" ტყავის ს. ს-ზეევ მაგრდებოდა ხანჯალი და ხმლის საკიდი — სამხარიღლიე. ვერცხლის ს-სა და ბალთებს ვერცხლის მჭედლები ამზადებდნენ და ტრად. ორნამენტით ამკობდნენ. *ლ. სოსელია.*


სარტყელი ფიზიკურ-გეოგრაფიული, დედამიწის გეოგრაფიული (ლანდშაფტური) გარსის დიფერენციაციის უმაღლესი ტაქსონომიური ერთეული. ყოველი სარტყლისათვის დამახასიათებელია სითბოსა და ტენის განსაკუთრებული რეჟიმი, საკუთარი ჰაერის მასები, მათი თავისებური ცირკულაცია და ამით გაპირობებული ბიოქიმ. და გეომორფოლ. პროცესების, მცენარეთა ეკვატაციის, ცხოველთა მიგრაციისა და ნივთიერებათა მიმოქცევის თავისებური ხასიათი და რიტმულობა. კლიმ. ფაქტორების, უმთავრესად კი სითბოსა და ტენის თანაფარდობის სეზონური ცვალებადობა განაპირობებს სარტყლის ფარგლებში სხვადასხვა გეოგრ. ზონისა და სექტორის (იხ. *ზონები ფიზიკურ-გეოგრაფიული*) ჩამოყალიბებას.




ჟ. პ. სარტრი.

ფიზ.-გეოგრ. სარტყლების გამოყოფის მიზნით მიმართავენ ადგილის სხვადასხვა ჰიდროთერმულ მაჩვენებლებს, კერძოდ, W საერთო (პროდუქტიული) დანესტიანების (*მმ* წელიწადში) შეფარდებას R რადიაციულ ბალანსთან $[ккал/(см^2 წ)]$. თუ W/R ჰიდროთერმული კოეფიციენტი 10-ზე მეტია, მაშინ ვითარდება ტყის ლანდშაფტები, თუ 7-ზე ნაკლებია — ბალახოვან-ბუჩქნარი ლანდშაფტები, ხოლო 7—10 დიაპაზონში გავრცელებულია გარდამავალი ლანდშაფტები. ეს კანონზომიერება ვლინდება ყველა ფიზ.-გეოგრ. სარტყელში, სუბარქტიკულისა და სუბანტარქტიკულის გარდა, სადაც ლანდშაფტური დიფერენციაციის განმსაზღვრელი ფაქტორია სითბოს ნაკლებობა და არა სინოტივისა, რ-იც აქ მცირე აორთქლების გამო საკმარისია ნალექების წლიური რაოდენობის სიმცირის პირობებშიც, (ფიზ.-გეოგრ. სარტყლების გავრცელება იხ. რუკაზე — დედამიწის გეოგრაფიული სარტყლები და ზონები, ქსე, ტ. 3, გვ. 112).

ანალოგიური გეოგრ. სარტყლები ვრცელდება მსოფლიო ოკეანეზედაც (თუმცა აქ ისინი უფრო სუსტადაა გამოხატული წყლის მასების მნიშვნელოვანი გადაადგი-



სარქველი. ნახ. 1. დგუშიანი შიგაწვის ძრავას სარქველი.



სარქველი. ნახ. 2. მილსადენის სარქველი.



ფ. სარჭისიანი.



ბ. სარჭისოვი.

ლების გამო). ოკეანეში სარტყლებს გამოყოფენ სითბოს, აორთქლების, ღრუბლიანობის, წყლის მარილიანობისა და სიმკვრივის, გაბატონებული ქარებისა და ზღვის დინებების, წყლის ეერტ. ცირკულაციის, წყალში ჟანგბადის, პლანქტონისა და უმაღლესი ორგანიზმების შემცველობის გათვალისწინებით. ეს პირობები, ჩვეულებრივ, განედის მიხედვით თანდათანობით იცვლება, მაგრამ იმის გამო, რომ ზღვის დინებები გამოდიან გაბატონებული ქარების სარტყლის ფარგლებიდან, ისინი დიდ გავლენას ახდენენ სხვა სარტყლების ბუნებაზეც ამიტომ მსოფლიო ოკეანეში გეოგრ. სარტყლების საზღვრების დასადგენად მიმართავენ ისეთ ბუნებრივ ზღუდეებს, როგორიცაა: წყლის ძირითადი მასების კონვერგენციის ხაზები, მრავალწლოვანი (ზაფხულში) და სეზონური (ზამთარში) ყინულის კიდე პოლარეთისპირა მხარეში, მაღალი და დაბალი წნევის ცენტრების განედური ღერძები.

სარჭი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში, შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ტიბაშის ნაპირებზე, საქ. სსრ- და თურქ. საზღვართან. სოფსაბჭო. ზ. დ. 80 *მ*, ხელვაჩაურიდან 18 *კმ*. სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეციტრუსეობა, მეჩაიეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

სარძარი (სპარს. სარქარ — ზედამხედველი, უფროსი), გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში: 1. უფროსი, ზედამხედველი, მოხელე. 2. ერთგვარი ხაზინა, სხვადასხვანაირი საქონლის, სურსათისა და ფულის სათავსი-საწყობი. ს-ს სარქარდარი განაგებდა.

მორიგე ჯარის ს. (სარქარდა, სარქარდარი) სამხ.-ადმ. ფუნქციებს ასრულებდა (ჯარის „დაძახება"-გამოყვანა და მეთაურობა, ლაშქარს „დაკლებულთა" და მაროდიორთა დასჯა).

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2—3, თბ., 1965—70; ტ. 5—6, თბ., 1974—77.

ლიტ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, 1 2, 3 წიგნების ლექსიკონი და საძიებლები, შეადგინა მ. ბერძნიშვილმა, თბ., 1957; სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952.

ი. ფუტკარაძე.

სარქველთუბანი, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ბუნიკაური, ზედა რგანი, თაბაგრები). ზ. დ. 640 *მ*, ჭიათურიდან 6 *კმ*. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა). იღებენ მანგანუმს. დაწყ. სკოლა. სკოლა-ინტერნატი, 3 ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

სარქველი, მანქანისა და მილსადენში აირის, ორთქლის ან სითხის ხარჯის სამართი დეტალი (ან მოწყობილობა), რ-ის მუშაობა ემყარება გასასვლელი კვეთის ფართობის ცვლილებას. მანქანებში (ტუმბო, კომპრესორი, შიგაწვის ძრავა და სხვ.: ნახ. 1) ს. მანაწილებლის მექანიზმის ან ხარჯის მართვის მექანიზმის ნაწილია. მილსადენის ს-ს (ნახ. 2). აქვს კორპუსი და საკეტი, რ-იც გადაადგილდება კორპუსის შიგნით და შეცვლის გასასვლელი კვეთის ფართობს, ე. ი. ს-ის გატარების უნარს. დანიშნულების მიხედვით ს. რამდენიმე სახისაა: დროსელ-სარქველი, უკუსარქველი, მცველი, მარეგულირებელი და სარედუქციო ს-ები. ს-ს იყენებენ აგრეთვე ჩამკეტ არმატურად მილსადენების, ტექნოლ. აპარატების, თბოენერგეტ. დანადგარებისა და მისთ. ჰერმეტული გამორთვისათვის.

სარქისიანი ფადეი ტაჭატის ძე (დ. 18. IX. 1923, ერევანი), საბჭ. სახელმწიფო მოღვაწე, ტექ. მეცნ. დოქტორი (1975). სომხ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1977), საინჟ. ჯგარების გენ.-მაიორი. სკკპ წევრი 1945-იდან. დაამთავრა ს. ბუდიონის სახ. ლენინგრადის კავშირგაბმულობის სამხ. აკად. (1946). 1946—63 მუშაობდა სსრკ თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე. 1963—77 მათ. მანქანების ერევნის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მთ. ინჟ., შემდეგ დირექტორი. 1977 იანვრიდან სომხ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971, 1981), უკრ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1979). სსრკ VI—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სკკპ ცკ-ის სარევიზიო კომისიის წევრი 1981-იდან. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სარკისოვი ბაბკენ ესაის ძე (დ. 8. XII. 1913, ქ. შუშა, მთიანი ყარაბაღის აო). საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1939-იდან. დაამთავრა აზერბ. ინდუსტრ. ინ-ტი (1938) და სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტსკოლა (1944). მუშაობდა ბაქოში მექან. სახელოსნოების ოსტატად (1929-იდან), ნავთობგადამამუშავებელი ქ-ნის უფროს ინჟინრად (1938—39), მთავარი მექანიკოსის მოადგილედ (1939—41), სკკპ ცკ-ის პარტორგად (1941—43). 1944—55 სკკპ ცკ-ის აპარატში იყო. 1955—61 მუშაობდა სომხ. კომპარტიის ცკ-ის მდივნად, სომხ. სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნ.-კვლ. სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწ. კომიტეტის თავ-რედ (1961—66), სომხ. სსრ ავტოტრანსპ. მინისტრად (1966—70), სომხ. სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწ. კომიტეტის თავ-რედ (1970—75). 1975 ივლ-იდან სომხ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილეა. სკკპ ცკ-ის სარევიზიო კომისიის წევრი (1976), სსრკ IX—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სარლანისნაირნი (Beloniformes), თევზების რიგი. მათი სხეულის სიგრძე 36—150 *სმ* აღწევს. ფართოდ არიან გავრცელებული თბილ და ზომიერ წყლებში. რიგში გაერთიანებულია 4 ოჯახი: ნახევარდინგასებრნი, მფრინავი თევზისებრნი, სარლანისებრნი და მაკრელისებრნი. ნახევარდინგასებრთა და სარლანისებრთა ოჯახების თევზების ძვლები მწვანეა, რაც განპირობებულია მათში ნაღვლის პიგმენტის—ბილივერდინის არსებობით. ს-თა ზღვის ფორმები მრავლდებიან ქვირითით, ხოლო ზოგიერთი მტკნარი წყლის ფორმები ცოცხლადმშობია. *მ. დემეტრაშვილი.*

სარყანდი, ქალაქი ყაზ. სსრ თალდიყორღანის ოლქში, ჯუნღარის ალათაუს შტოქედებში. სარყანდის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. მულალიდან 135 *კმ*. ყველ-კარაქის, ლუდის, ღვინის ქ-ნები. კულტ.-საგანმან. სასწავლებელი.

სარჩელი, უფლების დაცვის პროცესუალური საშუალება. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, არბიტრაჟს, სამედიატორო სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების, ანდა კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სასამართლო ვალდებულია მიიღოს და განიხილოს ს. სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგ., თუ განცხადება არ წარმოადგენს სასამართლო ორგანოების განხილვის საგანს; თუ მოსარჩელემ არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის კანონით დადგენილი დავის სასამართლოს გარეშე წინასწარი გადაწყვეტის წესი; თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ ი-ზე უარის თქმის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ გამოტანილ დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის; თუ გასცხადება შეიტანა არაქმედუნარიანმა პირმა (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდ., მ. 132).

სასარჩელო განცხადება წერილობით ფორმდება და მასში აღნიშნული უნდა იყოს სასამართლოს (არბიტრაჟის) დასახელება, რ-შიაც შეაქვთ განცხადება, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება, მათი საცხოვრ. ადგილი (თუ მოსარჩელე იურიდ. პირია, — მისი სამყოფელი ადგილი), გარემოებანი, რ-თაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა, მტკიცებულებები, რ-ებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, მოსარჩელის მოთხოვნა, ს-ის ფასი და იმ სპუთების ნუსხა, რ-ებიც ერთვის ს-ს.

თ. ლილუაშვილი.

სარჩელის უზრუნველყოფა, მიმავალი სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მიზნით გატარებული ღონისძიებანი. ს. უ. დასაშვებია ყოველთვის, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებას. ს. უ-ის ღონისძიებებია ყადაღის დადება ქონებაზე ან ფულად სახსრებზე, რ-ებიც მოპასუხეს ეკუთვნის; მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; სხვა პირებისათვის იმის აკრძალვა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება და სხვ. (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდ., მ. 142).

ღონისძიებებს ს. უ-ის შესახებ იღებს სასამართლო ან მოსამართლე საქმეში მონაწილე პირთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით. *თ. ლილუაშვილი.*

სარჩელის ხანდაზმულობა, იხ. სტ. *ხანდაზმულობა.*

სარჩილავი, იარაღი, რ-საც იყენებენ რჩილვის დროს შესაერთებელი დეტალების გასახურებლად, სარჩილის გასადნობად და თხევადი სარჩილის ღრეჩოში დასატანად. ს-ის სამუშაო ნაწილს სპილენძისგან ამზადებენ. სპილენძის ს-ის გახურების ტემპ-რა 400°C-ს არ უნდა აღემატებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცხვირი თხევად სარჩილში გაიხსნება. გახურების რეჟიმის მიხედვით ს. არის უწყვეტი, ფორსირებული და იმპულსური ტიპისა. ს-ებს განასხვავებენ აგრეთვე სარჩილავი ღეროს სახეობის, ნომინალური სიმძლავრისა (10-იდან 250 *ეტ*-მდე) და 280°C ტემპ-რამდე გახურების დროის მიხედვით. ს-ების სპეც. ტიპს განეკუთვნება ულტრაბგერითი ს., რ-ის გახურებული ღეროს რხევა მისარჩილავი ლითონის ზედაპირზე გამდნარი სარჩილის ფენის ქვეშ არღვევს ჟანგის ფურჩს; მას ძირითადად ალუმინის სარჩილად იყენებენ.

სარჩილი, ლითონი ან შენადნობი, რ-იც შეაქვთ შესაერთებელ დეტალებს შორის არსებულ ღრეჩოში, ან რ-იც წარმოიქმნება მ. შ. რჩილვის პროცესში. ს-ის დნობის ტემპ-რა უფრო დაბალია, ვიდრე შესაერთებელი დეტალებისა. რაც უფრო ძნელდნობადია ს., მით უფრო დიდია მისი და მიღებული ნაკერის სიმტკიცე. ს. კარგად უნდა ასველებდეს შესაერთებელ მასალასა და მ. შ. არსებულ ღრეჩოებს, ამასთან ერთად ქმნიდეს მჭიდრო, კოროზიამედეგ შეერთებას. ს-ისა და შესაერთებელი დეტალების ტემპ-რული გაფართოების კოეფიციენტები ერთმანეთისგან მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს.

უფრო მეტად გავრცელებულია Sn, Cu, Ag, Ni, Zn და Al-ის ფუძიანი ები. ტექნოლ. თავისებურებების მიხედთ განასხვავებენ მონოლითურ, ფხვნისებრ, შრეულ, თვითფლუსვად ს-ებს. **რჩილი ლამპა,** სახურებელი ხელსო, რ-შიც სითბო გამოიყოფა თხევადი წვავის (სპირტი, ნავთი, ბენზინი) ალი- წვის დროს. ს. ლ-ში წვის პროდუქებით იქმნება გაჭიმული ჩირაღდანი. ლ-ს იყენებენ დეტალების გასახურებად და სარჩილის გასადნობად რჩილვის როს (1000—1100°C-მდე), აგრეთვე რჩილავისა და სხვა სხეულების გასახუებლად. ყველაზე უფრო გავრცელებულია რქვევანას ტიპის ს. ლ. ექსპლუატაციის როს უფრო მოხერხებული და სხვებზე ღალშრომებლურია ბენზინის ს. ლ. **რჩილი ფლუსი,** არალითონური ნივერება, რ-საც იყენებენ ნატანგის ფურს მოსაცილებლად სარჩილისა და დასარლავი მასალის ზედაპირზე და რჩილვის ოცესში მისი წარმოქმნის თავიდან ასლებლად, აგრეთვე სარჩილის ზედაპილი დაჭიმულობის შესამცირებლად. ზოერთი ს. შ-ის გამოყენება შეიძლება სხვასხვა მასალის რჩილვისას, ზოგი კი სპეც. ნიშნულებისაა. ფოლადისა და სპილენძის ეთობების მაღალტემპ-რული რჩილვისის ყველაზე უნივერსალურია $Na_2B_4O_7$ H_3BO_3-ის ფუძეზე დამზადებული ს. ები; დაბალტემპ-რულისათვის—$ZnCl_2$-ის ძის მქონე ს. შ., ალუმინის შენადნოს რჩილვისათვის იყენებენ 8% $ZnCl_2$, % NaF, 32% LiCl და 50%KCl-ის შემცლ ფლუსს.

რძევები, სარძევე ჭურჭლები, ენარის ჭურჭლები (მილები, უჯრედე). რ-ებიც შეიცავენ *რძეშჯენს* (ლატექსს) ს რძიანასებრთა, რთულყვავილოვანთა, ედკეცისებრთა და სხვ. ოჯახის ზოგით მცენარეს. ს. ორგვარია: დანაწევრელი და დაუნაწევრებელი. დანაწევრელი ს. წარმოიქმნება სარძევე უჯრედებს არის ტიხრების გახსნით; დაუნაწევრელი ს. — ინიციალური სარძევე უჯრების გაზრდით და დატოტვით. ცოცხალ ს აქვს ციტოპლაზმის კედლისპირული ე, მრავალი ბირთვი, ცელულოზოვანი რსი და ცოცხალი უჯრედის ყველა სხვა რუქტურა. ს. მცენარის თითქმის ყველა განოშია და ქმნის მთლიან სისტემას, მცა ზოგს (ჭანჭყატი, ეკკომია) რძეენი უგროვდება ცალკეულ წაგრძელებულ რედში. ს-ის ფიზიოლ. როლი ჯერ კიარ არის დადგენილი. ფიქრობენ, რომ ში გროვდება ნივთიერებათა ცვლის დუქტები.

რძევე ჯირკვლები, ადამიანისა და უმწოვარი ცხოველების კანის ჯირკვები, რ-ებიც წარმოქმნიან *რძეს*. თითოეს ს. ჯ-ს აქვს რთული მტევნისებრი (ალოლური) ფორმა (მხოლოდ ერთგასაანების ს. ჯ-ია მარტივი, პარკისებ), ერთშრიანი ეპითელიუმური კედელი, ც გარედან დაფარულია კუმშვადი ეპითელიუმური უჯრედების თხელი ნით. *სეკრეცია* აპოკრინულია; მათ ქმედებას არეგულირებს *ნიმპათიკური რვული სისტემა* და ჰორმონები. სქესობ მომწიფებამდე ს. ჯ. ერთნაირად თარდება ორივე სქესის ინდივიდებს, მდეგ კი მძლავრად ვითარდება და ნქციონირებას იწყებს მხოლოდ მდედბისა (იხ. *სასქესო ციკლი, სასქესო რმონები*). ს. ჯ. ჯგუფ-ჯგუფადაა ლაგებული და ქმნის ძუძუს (ცურს, ქანს). ს. ჯ-ის სეკრეტორული ნაწიები კანქვეშა შემაერთებელ ქსოვილს, სადინრები კი იხსნება ზედაპირზე, ც წარმოიქმნება ძუძუს კერტი ანუ ბილი (არა აქვთ ერთგასავლიანებს); ოველთა უმრავლესობას რამდენიმე წყვი ძუძუ აქვს (მაქსიმუმია 7, თუმცა ჩანხსნებს 11-მდე წყვილი აქვთ), განლაგებულია მუცლის მხარეზე, მკერდიდან საზარდულამდე, სიმეტრიულად; ზოგს კი შერჩენილი აქვს მხოლოდ 1—2 წყვილი საზარდულამდე სიმეტრიულად მოთავსებული ძუძუ. ძუძუს რაოდენობა შეესაბამება ძირითადად ერთდროულად შობილი ნაშიერების რიცხვს.

მიუხედავად მორფოლ. და ფუნქციური (სეკრეციის ტიპი) განსხვავებისა, დადგენილია, რომ ს. ჯ. *საოფლე ჯირკვლების* ევოლ. გარდაქმნის შედეგია. *ლ. ნათაძე.*

ქალის ს. ჯ., ძუძუები 15—20 განცალკევებული მილისაგან შემდგარი სფერული ფორმის წყვილი ორგანოა, რ-იც მდებარეობს მკერდის დიდი კუნთის ფასციაზე. III—IV ნეკნების მიდამოში. ზოგჯერ ს. ჯ-ის ზემო გარეთა კიდე იღლიას აღწევს. ს. ჯ-ის შუაში არის კონუსისებრი შემაღლება — ძუძუს დგრილი, რ-ის მწვერვალზე იხსნება 15—20-მდე სადინრის ხვრელი. დერილის ირგვლივ კანი — ძუძუს ბაკი — მეტად გათხელებული და პიგმენტირებულია (ქერა ქალის ბაკი ვარდისფერია, შავგვრემანისა — წაბლისფერი). პიგმენტაციის ინტენსივობა მატულობს ორსულობისა და ბავშვის კვების დროს. ბაკის სისქეში რადიალურად და ცირკულარულად განლაგებულია გლუვკუნთოვანი ბოჭკოები. მათი შეკუმშვისას დერილი იჭიმება, რაც წოვას აადვილებს. ს. ჯ. იზრდება ორსულობის მეორე ნახევარში და ბავშვის კვების დროს. კვების შეწყვეტის შემდეგ კი კვლავ მეტ-ნაკლებად პატარავდება. ს. ჯ-ს სიმაღლე მისი ფუძის დიამეტრის მესამედი უნდა იყოს. მისი მოქნილობა დამოკიდებულია ჯანმრთელობასა და კისრის კანქვეშა კუნთის — პლატიზმის მოქმედებაზე. ს. ჯ-ს შორის კანი შეზრდილია მკერდის ძვალთან, ამიტომ ძუძუებს შორის წარმოიქმნება სხვადასხვა ხარისხით გამოხატული ღიალი. ს. ჯ-ის ლიმფური სადინარების უმრავლესობა იღლიის ლიმფურ კვანძებთანაა დაკავშირებული. ს. ჯ-ის დაავადებებიდან ხშირია *მასტიტი*, მასტოპათია, *გინეკომასტია*.

სარძევე სამზარეულო ს ს რ კ-შ ი, საზოგადოებრივი კვების დაწესებულება, რ-იც ამზადებს საკვების ნარევს შერეულ და ხელოვნურ კვებაზე მყოფი ჯანმრთელი ჩვილი ბავშვებისათვის, იმ ბავშვებისათვის, რ-თაც ეძლევათ დამატებითი საკვები და ავადმყოფი ბავშვებისათვის სამ წლამდე. ს. ს-ს აწყობენ ცალკე შენობაში, საცხოვრ. სახლების პირველ სართულზე და ბავშვთა პოლიკლინიკასთან კომპლექსში. ს. ს-ში საკვები უნდა დამზადდეს ზუსტად პედიატრის მიერ გამოწერილი რეცეპტის მიხედვით, დაცული უნდა იყოს ტექნოლ. პროცესის ყველა წესი და სანიტ. რეჟიმი. მსხვილ ს. ს-ებთან არსებობს პუნქტები, სადაც რძის ნარევს აძლევენ ამ პუნქტის რ-ნში მცხოვრებ ბავშვებს.

სარწები, ისტორიული სოფელი სამხრ. საქართველოში (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" (XVI ს.). გაიგივებულია გიორგი მერჩულის (X ს.). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ნახსენებ სარწებთან.

წყარო: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგნ. 3, თბ., 1958.

სარწმუნოების სიმბოლო, ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა (მ რ წ ა მ ი), ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი დებულებების მოკლე და მსოფლიო საეკლესიო კრებებით მიღებული გადმოცემა. დასავლეთის (კათოლ. და პროტესტანტული) ეკლესიები ხელმძღვანელობენ ე. წ. მოციქულთა სიმბოლოთი, ხოლო აღმოსავლეთისა (მართლმადიდებლური) — ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოთი. ნიკეა-კონსტანტინოპოლის ს. ს. ჩამოყალიბდა I—II საეკლ. კრებაზე (325—360) არიანელობა — მაკედონიანელობასთან ბრძოლაში და შეცვალა ჯერჯო სარწმუნოების აღსარებები, რ-ებსაც თავდაპირველად წარმართთა და ერეტიკოსთა ნათლობისას იყენებდნენ. იგი შეიცავს ტრინიტარულ, სამების (მამა ღმერთი, ძე ღვთისა და სულიწმიდა) შესახებ დოგმატს, რ-ის უმთავრესი მიზანია ერთიან ფორმულად ჩამოაყალიბოს სამების წევრთა თანასწორობის (კოორდინაცია) და თანაარსებობის (ჰომოუსია) შესახებ მოძღვრება. ეფესოს III მსოფლიო საეკლ. კრებამ (431) აკრძალა ახ. სიმბოლოების შექმნა, ამიტომ ქრისტოლოგიური (ძე ღვთისას ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების თანაფარდობის შესახებ მოძღვრება) ცილობის გამო მომდევნო მსოფლიო საეკლ. კრებების მიერ შემუშავებულ დოგმატს სარწმუნოების განსაზღვრებას (მრწამსი) უწოდებენ. საქართვ. ეკლესიის მიერ მიღებული I—IV საეკლ. კრების სარწმუნოების განსაზღვრებების (მრწამსის) უძველესი ნიმუშები შემოგვინახა „ეპისტოლეთა წიგნმა" (VII ს. დასაწყისი). *შ. ალექსიძე.*

სარწყავი მიწათმოქმედება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა სარწყავ მიწებზე. ინტენსიური მიწათმოქმედების ერთ-ერთი სახე, რ-იც წარმოადგენს აგროტექ., აგროფიზ., აგროქიმ., მელიორ. და ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსს. მისი ამოცანაა ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება, სას.-სამ. კულტურების წყლით უზრუნველყოფის პირობების გაუმჯობესება, მოსავლიანობის ამაღლება, შრომისა და დანახარჯების მაღალი ანაზღაურების უზრუნველყოფა.


სარწყავ მიწებზე ერთი და იმავე მინდვრიდან წლის განმავლობაში შეიძლება 2 და ზოგჯერ 3 მოსავლის აღება. მაგ., შუა და ქვემო ქართლის რ-ნებისა და ალაზნის ვაკის სარწყავ მიწებზე თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ითესება სანაწვერალო კულტურები — სასილოსე სიმინდი ან ერთწლოვანი საკვები ბალახები და სხვ., რაც იმავე წელს მნიშვნელოვან დამატებით მოსავალს იძლევა.

საქართველოში რწყვას ოდითვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღმ. საქართვ. მცირენალექიან ადგილებში .(შუა და ქვემო ქართლი, გარეკახეთი) ს. შ. ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც თამარ მეფის დროინდელი სარწყავი არხების ნაშთები და სხვა მატერ. კულტ. ძეგლები მოწმობენ. 1976—80 წლებში საქართველოში სარწყავი მიწების ფართობი 490 ათ-მდე ჰა-ს შეადგენდა. აშენდა და მოქმედებს ალაზნის, ტირიფონის, სალთვისის, სამთავისის, კეხვის, ვანათის, სკრაქარელის, ტაშისკარის, თეზ-ოკამის, მუხრანის, დიღმის, გარდაბნის, სამგორის და სხვ. სარწყავი სისტემები. მიმდინარეობს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რ-ის დამთავრების შემდეგ მოირწყვება შირაქისა და ელდარის მიწები, ამასთან, სარწყავი ფართ. 600 ათ. ჰა-მდე გაიზრდება.

ლიტ.: ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ი., მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა, თბ., 1977; გ ა დ რ ი შ ვ ი ლ ი გ., მემცენარეობა, თბ., 1974; ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ი., სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია, გამოც. მე-5, თბ., 1970; Лысоторов С. Д., Орошаемое земледелие, 3 изд., М., 1971.

პ. გელაშვილი.

სარწყავი ნორმა, წყლის რაოდენობა, რ-იც საჭიროა 1 ჰა ფართობზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ერთხელ მოსარწყავად; ს. ნ-ის სიდიდე დამოკიდებულია კლიმ. პირობებზე, ნიადაგის თვისებებზე, მცენარის თავისებურებასა და მისი მოყვანის ტექნოლოგიაზე. საქართვ. პირობებში ს. ნ-ის საშ. სიდიდეა (ათ. $მ^3/ჰა$) ვენახისა და ბაღისათვის 1,5—4, მარცვლოვანი კულტურებისათვის 1,5—2,5, მრავალწლოვანი ბალახებისათვის — 2,5—6. ს. ნ. იყოფა *რწყვის ნორმებად*. იხ. აგრეთვე *რწყვის რეჟიმი*. *ო. ცუცუნაშვილი.*




სარწყავი ქსელი. სარწყავი ქსლის სქემა: 1 — სათავე წყალმიმღები კვანძი მდინარეზე; 2 — მაგისტრალური არხი; 3—სამეურნეობათაშორისო განმანაწილებელი; 4 — სამეურნეო განმანაწილებელი; 5 — შიდასამეურნეო განმანაწილებელი; 6— დროებითი სარწყავი არხი; 7—სარწყავი კვლები; 8—ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კვანძი; 9—წყალგამშვები.

სარწყავი სისტემა, სარწყავ ტერიტორიაზე განლაგებული არხებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ და საექსპლუატაციო ნაგებობების ერთობლიობა, რ-თა მეშვეობითაც ხორციელდება *რწყვა*. ს. ს. არის რეგულ., პერიოდული და გამაწყლოვანებელი. *რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ი* ს. ს-ის დანიშნულებაა სარწყავ ფართობს ნებისმიერ ნაწილში საჭიროების შესაბამისად მიაწოდოს განსაზღვრული რაოდენობის წყალი. იგი შედგება სარწყავი ტერიტორიის, სარწყავი წყაროს (მდინარე, ტბა), წყალმიმღები კვანძის, სარწყავი ქსლის, წყალგამტარ ქსლის, წყალშემკრებ-წყალსაგდებ და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსლისაგან, აგრეთვე ჰიდროტექ. (სარწყავ და წყალგამტარ ქსელზე) და საექსპლუატაციო ნაგებობებისაგან, ტყის ზოლებისაგან და სხვ.; *პ ე რ ი ო დ უ ლ ი* ს. ს. მოქმედებს მხოლოდ თოვლის დნობის ან წყალდიდობის პერიოდში. მას განეკუთვნება ლიმანური და წყალდიდობისმიერი რწყვა; *გ ა მ ა წ ყ ლ ო ვ ა ნ ე ბ ე ლ ი* ს. ს-ის დანიშნულებაა სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება, აგრეთვე მცირე ნაკვეთების მორწყვა. ს. ს. არის თვითდინებითი და მექან., კონსტრუქციის მიხედვით — ღია, დახურული და კომბინირებული. საქართველოში რეგულარულად მოქმედი, თვითდინებითი, კომბინირებული ს. ს-ის მაგალითია ზემო სამგორის ს. ს.


ლიტ.: ქ ო ბ უ ლ ი ა გ., საინჟინრო მელიორაცია, ნაწ. 1, თბ., 1971; ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ი., სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია, გამოც. მე-5, თბ., 1970; К о с т я к о в А. Н., Основы мелиорации, 6 изд., М., 1960.

გ. ტუღუში.




სარწყავი ქსელი. სარწყავი ქსლის ღარიანი არხები.

სარწყულებელი ა ვ ტ ო მ ა ტ უ რ ი (ა ვ ტ ო ს ა რ წ ყ უ ლ ე ბ ე ლ ი), სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დასარწყულებელი ავტომატური მოწყობილობა, რ-იც საქონელს დღეღამის ნებისმიერ დროს საჭირო რაოდენობით აწვდის წყალს. განასხვაებენ ინდივიდ. და ჯგუფურ ს-ებს. *ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ* ს-ს (ნახ. 1) იყენებენ დაბმულად შენახული მსხვილი რქოსანი საქონლისა და ცალკეულ დოლფარაში შენახული ღორების დასარწყულებლად. მას ამაგრებენ ორ მომიჯნავე ბაგას შორის დგარზე და მილდგარით წყალსადენს უერთებენ. *ჯ გ უ ფ უ რ* ს-ს იყენებენ დაუბმელად შენახული მსხვ. რქ. საქონლის, დიდ საფრინველეებში ფრინველის, ღორებისა და ცხვრის დასარწყულებლად, აგრეთვე საძოვრებზე, ღია მოედნებზე და სხვ. ჯგუფური ს. შეიძლება იყოს მოძრავი და სტაციონარული. სტაციონარული ს. მიერთებულია წყალსადენთან. მოძრავ ს-ს (ნახ. 2), როგორც წესი, იყენებენ საძოვრებზე წყაროებიდან დაცილებულ ადგილებში. ჯგუფური ს-ები მოქმედებს ზიარჭურჭლების პრინციპით. იყენებენ აგრეთვე ვაკუუმური ტიპის ჯგუფურ ს-ებს. ასეთ ს-ებს საქათმეებში დგამენ.



სარწყულებელი. ნახ. 1. ინდივიდუალური სარქქული სარწყულებელი: 1—სარწყულებელი ჯამი; 2—კორპუსი; 3—სატერფული; 4—სარქველი; 5—გამყოფი დგარი; 6—მილდგარი; 7—წყალსადენი; 8—ცხაურა; 9—სარქვლის ბუდე; 10 — სარქვლის ზამბარა.



სარწყულებელი. ნახ. 2. ჯგუფური მოძრავი სარწყულებელი: 1—ნალო; 2—ვენტილი; 3—ცისტერნა; 4—ლიუკი; 5—ვაკუუმური მილი; 6 — ხუფი; 7 — სარწყულებელი ვარცლი; 8 — მარიგებელი მილი.

სარწყუნისი, ს უ რ წ ყ უ ნ ი ს ი, იხ. *თებერვალი.*

სარჯენტი (Sargent) ჯონ სინგერ (12. I. 1856, ფლორენცია,—15. IV. 1925, ლონდონი), ამერიკელი ფერმწერი. სწავლობდა პარიზში (1874—79). 1885-იდან ცხოვრობდა ლონდონში. განიცადა ჯ. დ. გ. *კურბეს* და ე. *მანეს* გავლენა. ცნობილია, როგორც ვირტუოზული საერო პორტრეტების („ქალბატონი X", 1884, მეტროპოლიტენ-მუზეუმი, ნიუ-იორკი), ეფექტური ფანრული სურათებისა („ჩინური ფარნები" 1885—86, ტეიტის გალერეა) და კედლის მხატვრობის (საჯარო ბ-კა, ბოსტონი, 1894—95) ოსტატი.

სასა, ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის პირის ღრუს სახურავი. ზოგი თევზის ს. წარმოქმნილია ხრტილოვანი ქალას ფუძით, ძვლოვანი თევზებისა და ხმელეთის ხერხემლიანებისა კი — ძვლებით. ზოგი თევზისა და ხმელეთის ხერხემლიანის ს-ში განვითარებულია შინაგანი ნესტოები, ე. წ. *ჭოანები*. ქვეწარმავლებსა და ძუძუმწოვრებს აქვთ *მ ე ო რ ე უ ლ ი მ ა გ ა რ ი* ს., რ-იც საპაერო გზებს იცავს ნამცეცების მოხვედრისაგან. ბუძუმწოვრების ს. გადადის კუნთოვან ღირფიცტაში — *რ ბ ი ლ* ს-ში, რ-იც ზემოდან და გვერდებიდან ძაღვრავს ხახის ჭერელს.

ლ. ნათაძე.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს. შეიგება მაგარი და რბილი ს-გან. *მ ა გ ა რ ი* ს-ის შემადგენლობაში შედის ერიიმეორესთან გასწვრივი და განივი ნაკერებით შეერთებული ზედა ყბის ძვლების ს-ის მორჩები და ს-ის ძვლის პორიზ. ფირფიტები. *რ ბ ი ლ ი* ს. მაგარი ს-ის გაგრძელებაა და უკავია ს-ის უკანა მესამედი. რბილი ს-ის შემადგენლობაში შედის პირისა და ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსები, ლორწქვეშა შემაერთებელი და ცხიმოვანი ქსოვილები. ცხვირის ღრუს მხრივ ს-ის ლორწოვანი გარსი ამოფენილია ცილინდრული მოციმციმე ეპითელიუმით, პირის ღრუს მხრივ კი — მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით. ს-ის შუა ხაზის გასწვრივ ნაკერია, რ-ის წინა ბოლოსთან აღინიშნება განივი ნაოჭები, ს-ის მორგვის რუდიმენტი. ეს მორგვები კარგად აქვთ განვითარებული ძუძუმწოვარ ბავშვებს და წოვისას მათ უადვილდებათ ძუძუს დერილის ფიქსაცია. რბილი ს-ის უკანა თავისუფალი კიდე (ს-ის ფარდა) ცხვირით წყნარად სუნთქვის დროს ერიიმეორისაგან გამოყოფს ცხვირისა და პირის ღრუებს. ს-ის ფარდის შუაში ჩამოკიდებულია ნაქი. გვერდებზე ფარდა ს.-ენის და ს.-ხახის რკალებში გადადის. რკალეს შორის სივრცეში ჩართულია *ლიმფიიდური* ქსოვილის გროვა ს-ის ნუშები. ჩანასახის ნორმალური განვითარების დარღვეულისას შეიძლება განვითარდეს ს-ის ჯანეითარების მანკები — მგლის ხახა და სხვ.

ლ. აბაშიძე.

სასაათო ზოლი, თითოეული იმ 24 ზოლიდან, რ-ებადაც დაყოფილია დედამიწის ზედაპირი *ზოლური დროის* აღრიცხვის სისტემაში.

სასადილო, სოფელი საგარეჯოს რ-ნში (კოჭბაანის სოფსაბჭო), მდ. ივრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 920 *მ*, საგარეჯოდან 45 *კმ*. გომბორის მეცხოველეობა-მეფხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. კოჭბაანში (3 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი.

სასადილოყელი, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (ზვარის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 420 *მ*, ქედიდან 15 *კმ*. წონიარისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა., საშ. სკოლა სოფ. წონიარისში (15 *კმ*).

სასაზღვრო ამოცანა, ამოცანა, რ-შიც მოცემულ არეში განსაზღვრულ ფუნქციათა გარკვეული კლასიდან საჭიროა მოიძებნოს ის, რ-იც ამ არის საზღვარზე აკმაყოფილებს მოცემულ პირობებს. ბუნების კონკრეტულ მოვლენათა ამსახველი ფუნქციები, როგორც წესი, წარმოადგენენ მათ. ფიზ. განტოლებათა ამონახსნს; ეს განტოლებები გამოიყვანება იმ ზოგადი კანონებიდან, რ-ებსაც ემორჩილება ეს მოვლენები. როცა განსახილველ განტოლებებს აქვს ამონახსნთა მთელი ოჯახი, მაშინ დამატებით მოცემულია ე. წ. სასაზღვრო ან საწყისი პირობები, რ-თა მეშვეობით შესაძლებელია ცალსახად გამოვყოთ ჩვენთვის საინტერესო ამონახსნი. სასაზღვრო პირობები მოცემულია აუცილებლად იმ არის სასაზღვრო წერტილებში, სადაც ამონახსნი მოიძებნება, საწყისი პირობები შეიძლება მოცემული იყოს არის შიგნით წერტილების გარკვეულ სიმრავლეზე.

სასაზღვრო ეწოდება ისეთ ამოცანებს, რ-ებშიც მოცემული $x=(x_1, x_2, \ldots, x_n)$ დამოუკიდებელი ცვლადების სივრცის G არეში ეძიებენ $Du(x)=0, x \in G$ (1) განტოლების ისეთ $u(x)=u(x_1, x_2, \ldots, x_n)$ ამონახსნს, რ-იც G არის S საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას: $Bu(y)=0$, $y \in S$ (2), სადაც D და B არის მო-

ცემული ოპერატორები, ხოლო D, როგორც წესი, დიფერენც. ან ინტეგრ.-დიფერენც. ოპერატორია.

როდესაც D და B ოპერატორები წრფივია, (1) და (2) ს. ა-ს ეწოდება წრფივი. თუ $S(n-1)$-განზ ომილებიანი ჰიპერსიბრტყეა, D—მეორე რიგის წრფივი დიფერენციალური ოპერატორი

$$Du(x) \equiv \sum_{i,j=1}^{n} A_{ij}(x)\frac{\partial^2 u}{\partial x_i \partial x_j} +$$

$$+ \sum_{i=1}^{n} B_i(x)\frac{\partial u}{\partial x_i} + C(x)u - F(x),$$

$$Bu(y) \equiv u(y) - f(y),$$

სადაც A_{ij}, B_i, C, F, f მოცემული ფუნქციებია, მაშინ (1) და (2) ამოცანას ეწოდება პირველი სასაზღვრო ამოცანა ან დირიხლეს ამოცანა, თუ

$$Bu(y) \equiv \sum_{i=1}^{n} a_i(y)\frac{\partial u}{\partial y_i} - f(y),$$

სადაც a_i, $i=1,\ldots,n$, f მოცემული ფუნქციებია, ხოლო $(a_1,\ldots,a_n)$ ვექტორი ემთხვევა S-ის კონორმალს, მაშინ (1), (2) ამოცანას ეწოდება მეორე სასაზღვრო ამოცანა ან ნეიმანის ამოცანა.

ს. ა-ის გამოკვლევისათვის ფართოდ იყენებენ ინტეგრ. განტოლებების, აპრიორულ შეფასებათა და სასრულ სხვაობათა მეთოდებს.

ლიტ.: Бицадзе А. В., Краевые задачи для эллиптических уравнений второго порядка, М., 1966; Петровский И. Г., Лекции об уравнениях с частными производными, 3 изд., М., 1961.

სასაზღვრო გამაგრებული ხაზები, სახელმწიფოს საზღვრების დაცვის სისტემა. იყენებდნენ ჯერ კიდევ ძვ. ეგვიპტეში (პელუსიის კედელი სუეცის ყელზე), ძვ. რომში (რომაული ზვინულები), ძვ. ჩინეთში (დიდი ჩინ. კედელი) და სხვ. შუა საუკ. ევროპაში (VIII—IX სს.) ფრანკების სახელმწიფოს ჩრდ. და აღმ. საზღვრებზე შეიქმნა პირველი ს. გ. ხ., რ-იც იწყებოდა ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროდან და მთავრდებოდა ხმელთაშუა ზღვასთან. იგი შედგებოდა მნიშვნელოვან გზებზე მოწყობილი ცალკეული სიმაგრეებისა და სათვალთვალო კოშკებისაგან, საიდანაც გადასცემდნენ სიგნალს მტრის მოახლოების შესახებ. X ს-იდან საზღვრების დასაცავად დაიწყეს ციხესიმაგრეების მშენებლობა. XVII ს-იდან ამ სისტემაზე გადავიდნენ საფრანგეთი და დას. ევრ. სხვ. სახელმწიფოები.

რუს. სახელმწიფოს საზღვრებზე სიმაგრეების აგება IX ს-ში დაიწყეს (თავდაპირველად სამდ. ზღუდეების გაყოლებით აწყობდნენ მიწაყრილებს, გამაგრებულ პუნქტებსა და ჯებირებს). XIV ს-ში შეიქმნა სადარაჯო სასაზღვრო ხაზი მდ-ების ჩოპიორის, ვორონეჟისა და დონის გასწვრივ. ს. გ. ხ-ს იცავდნენ სახაზო რაზმები და კაზაკები. 1706 — 08 შეიქმნა ს. გ. ხ. დას. საზღვარზე — ფსკოვ—სმოლენსკ—ბრიანსკის ზღვარზე, 1718—23 — ცარიცინის ხაზი დონისა და ვოლგის შუამდინარეთში, 1731—35 — უკრ. ხაზი, მოგვიანებით დნეპრის ხაზი. 1735 ყიზლარის ციხესიმაგრის აგებით დასაბამი მიეცა კავკასიის ხაზის მშენებლობას, რ-იც მოგვიანებით მდ. ყუბანის შესართავამდე გაგრძელდა. კავკ. ომის (1817—64) დროს შეიქმნა რიგი ახ. ხაზები, რ-ებმაც შემდგომში მნიშვნელობა დაკარგეს. 1731—36— ააგეს კამისგალმა ხაზი, 1736 დაიწყო ორენბურგის ხაზის მშენებლობა, 1716 — ციმბ. ხაზისა, რ-იც XIX ს. დასაწყისში 124 ციხისა და სიმაგრისაგან შედგებოდა. I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ სსრკ-ში ს. გ. ხ. გამაგრებული რ-ნების სისტემამ შეცვალა. საქართველოში ს. გ. ხ-ის შესახებ იხ. სტატიები: *კელასურის კედელი* და *სიბა*.

სასაზღვრო კომისარი, მოსაზღვრე სახელმწიფოს წარმომადგენელი, რ-იც დანიშნულია იმისათვის, რათა მიიღოს ზომები სახელმწიფო საზღვარზე წესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე სასაზღვრო რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული ინციდენტის გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლად. ს. კ. საერთაშ. სამართლის ახ. ინ-ტია, რ-იც შემოიღო სსრკ-მა, განსაზღვრა რა მისი კონკრ. შინაარსი შესაბამისი შეთანხმებებით, მაგ., ფინეთთან (1922, 1928, 1948), მონღოლეთთან (1930) თურქეთთან (1928, 1937).

სასაზღვრო ნიშანი, იხ. სტატიები *დემარკაცია საზღვრისა, სახელმწიფო საზღვარი*.

სასაზღვრო პირობა, იხ. სტ. *სასაზღვრო ამოცანა*.

სასაზღვრო რეჟიმი, სპეციალური რეჟიმი, რ-იც დაწესებულია სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ადგილებში შინაგანი კანონმდებლობითა და მოსაზღვრე სახელმწიფოთა შეთანხმებით. ს. რ. განსაზღვრავს მოსაზღვრე მიწებით, წყლით, ტყით, წიაღისეულითა და სხვა სავარგულებით სარგებლობის წესს. სსრკ-ის ხელშეკრულებანი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ჩვეულებრივ, შეიცავს მოსაზღვრე წყლებში ნაოსნობის, თევზჭერის, სატყეო სავარგულების გამოყენებისა და ნადირობის წესებს. საჭირო შემთხვევაში, სახელმწ. საზღვრის დარღვევის თავიდან აცდენისა და ლიკვიდაციისათვის, სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობები ადგენენ სასაზღვრო ზონებს — ვიწრო ხოლს საზღვრის გასწვრივ, სადაც დაწესებულია განსაკუთრებული რეჟიმი.

სასაზღვრო შრე, მოძრავი სითხის (აირის) თხელი შრე, რ-იც წარმოიქმნება გარსშემოდენილი მყარი სხეულის ზედაპირთან. ს. შ-ს ახასიათებს სიჩქარის (დინამ. ს. შ.), ტემპ-რის (თბური ანუ ტემპრული ს. შ.) ან ცალკეული ქიმ. კომპონენტების (დიფუზური ან კონცენტრაციული ს. შ.) მკვეთრი ცვლილება განივი მიმართულებით. ს. შ-ში დინების ჩამოყალიბებაზე ძირითად გავლენას ახდენს სითხის (აირის) სიბლანტე, თბოგამტარობა და დიფუზურობის უნარი. დინამ. ს. შ-ის შიგნით სიჩქარე მდოვრედ იცვლება მაქს. მნიშვნელობიდან (გარე ნაკადში) ნულამდე (კედელზე). ს. შ-ის შიგნით ისევე მდოვრედ იცვლება ტემპ-რა და კონცენტრაცია.

დინამ. ს. შ-ში დინების რეჟიმი დამოკიდებულია *რეინოლდსის რიცხვზე* (Re) და შეიძლება იყოს ლამინარული ან ტურბულენტური. ლამინარული რეჟიმის დროს სითხის (აირის) ცალკეული ნაწილაკები მოძრაობს ტრაექტორიით, რ-ის ფორმა უახლოვდება გარშემოდენილი სხეულის ფორმას. ტურბულენტური რეჟიმის დროს ს. შ-ში სითხის ნაწილაკების რაღაც გასაშუალებელ მოძრაობას ძირითად ნაკადის მიმართულებით ემატება ცალკეული თხევადი კონგლომერატების ქაოსური პულსაციური მოძრაობა. რეინოლდსის რიცხვის კრიზისული მნიშვნელობა, რ-ის დროს ს. შ-ში ხდება ლამინარული დინების გადასვლა ტურბულენტურში, დამოკიდებულია გარსშემოდენილი ზედაპირის სიმქისის ხარისხზე, გარე ნაკადის ტურბულენტურობის დონეზე, *მახის რიცხვზე* (M) და ზოგიერთ სხვა ფაქტორზე.

თბური ს. შ-ის განვითარებას (გარდა რეინოლდსის რიცხვისა) განსაზღვრავს აგრეთვე *პრანდტლის რიცხვი* (Pr), რ-იც ახასიათებს დინამ. და თბური ს. შ-ის სისქეების თანაფარდობას. დიფუზური ს. შ-ის განვითარებაზე დამატ. გავლენა აქვს პრანდტლის დიფუზურ რიცხვს, ანუ *შმიდტის რიცხვს* (Sc).

ლიტ.: Кутателадзе С. С., Леонтьев А. И., Тепломассообмен и трение в турбулентном пограничном слое, М., 1972.

სასათბურე კულტურები, ბოსტნეული, დეკორატიული, ხეხილოვანი და კენკროვანი მცენარეები, რ-ებიც *სათბურში* გამოჰყავთ. ს. კ. მოსავალს იძლევიან არასეზონურ ვადებში, როდესაც მათი მოყვანა ღია გრუნტზე არ შეიძლება. ბოსტნეული კულტურებიდან მოჰყავთ უმთავრესად კიტრი და პამიდორი, აგრეთვე ბადრიჯანი, ლობიო, ხახვი, თვის ბოლოკი, წიწაკა, საზამთრო, ნესვი და სხვ.; დეკორ. მცენარეებიდან — ყოჩივარდა, ქრიზანთემა, მიხაკი და სხვ., მოჰყავთ აგრეთვე ხეხილოვანი კულტურები: ლიმონი, ატამი; კენკროვანებიდან — მარწყვი და ა. შ. დასახელებული კულტურების სათბურში გამოსაზრდელად გამოჰყავთ სპეც. ჯიშები და ჰიბრიდები. ს. კ-ის მოვლა გულისხმობს კარგ განათებას, ოპტიმალურ ტემპ-რას, ნიადაგსა და ჰაერში საჭირო ტენიანობის შექმნას, მინერ. და ორგ. სასუქებით ნიადაგის დამატებით განყოიერებას, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვ. ს. კ-ის მოყვანა ამჟამად გადაყვანილია ინდუსტრ. საწყისებზე. *გ. კვაჭაძე.*

სასათბურე მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაყოფი, სადაც *სათბურში* ღია გრუნტისათვის გამოჰყავთ უმთავრესად ბოსტნეული და მისი კულტურების ჩითილი. საბოსტნეულო-საჩითილე მიმართულების ს. მ-ს განაგებს სათანადო მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა და კოლ-ბა. ს. მ-ის გამსხვილებასა და მის ინდუსტრ. საფუძველზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრკ-ში შეიქმნა სასათბურე კომბინატები, რ-ებიც ს. მ-ს ცვლიან. ს. მ. შედგება დამხმარე ობიექტებისაგან. ძირითადია სხვადასხვაგვარი სათბურის კომპლექსი (ბლოკი, ანგარი, ფირიანი სათბური), დამხმარე — გათბობის სისტემა, პროდუქციის რეალიზაციის საამქრო (სამაცივრო დანადგარიანად), სარგავი მასალის შესანახი სათავსი, საწყობები (მინერ. სასუქების, შხამქიმიკატების, ინვენტარის და სხვ.), აგროქიმ. ლაბორ., ავტოგარაჟი, სახელოსნო და ადმ. კულტსაყოფაცხოვრებო ნაგებობა. საქართველოში დიდი სამრეწვ სასათბურე კომბინატია თბილ. მახლობლად კრწანისში (18 ჰა).

გ. კვაჭაძე.

სასაკეები, ხალხი ინდონეზიაში, ცხოვრობენ კ. ლომბოკის ცენტრ. და აღმ. ნაწილებში. რაოდ. 1,4 მლნ. კაცზე მეტი (1968). ლაპარაკობენ ერთ-ერთ *ინდონეზიურ ენაზე*. რელიგია — ისლამი, ნაწილი ინდუიზმს აღიარებს. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, განვითარებულია ხელოსნობა. XV ს. შუა წლებიდან XVII ს. შუა წლებამდე ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ კ. სუმბავის რაჯებთან, მაკასარებთან, ხოლო XVII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე — კ. ბალის რაჯებთან. 1894 კ. ლომბოკი ჰოლანდიელებმა დაიპყრეს.

სასამართლო, მართლმსაჯულების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო. ს. წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად და ყოველთვის მოწოდებული იყო დაეცვა გაბატონებული კლასის ინტერესები.

მონათმფლობელურ სახელმწიფოში თავდაპირველად არ არსებობდა ს. როგორც დამოუკიდებელი ორგანო; მონათმფლობელთა კლასის ერთი და იგივე ორგანო ასრულებდა როგორც მმართველობით, ისე ს-ს ფუნქციებს. ფეოდ. სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ე. წ. წოდებრივი ს-ები (საეკლესიო ს-ები, საგლეხო ს-ები და ა. შ.), ფეოდ. ს. სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრა ბურჟუაზიამ. მან წამოაყენა ს. წარმოების მთელი რიგი დემოკრ. პრინციპები (თანასწორობა კანონისა და ს-ს წინაშე, ს. პროცესის საქვეყნოობა, მოსამართლეთა არჩევითობა და სხვ.). თანამედროვე ბურჟ. სახელმწიფოებში არსებობს სამოქალაქო, სისხლის, სავაჭრო, ადმ., საეკლ. და სხვა ს. სისტე-

შები, რ-თაც სათავეში უდგას უზენაესი ს. ორგანოები.

ფეოდ. საქართველოში ს. აშკარად იყო დაკავშირებული პოლიტ. ხელისუფლებასთან. სახელმწიფოს ცენტრალიზაციასთან ერთად მეფე ფეოდალთა ს. ფუნქციებს მკვეთრად კვეცავდა. უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართ. საქმეები ამოღებული იყო მემამულეთა ს-ების კომპეტენციიდან. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, უმაღლეს მსაჯულად ითვლებოდა. გაერთ. ფეოდ. საქართველოში მეფის შემდეგ პირველი პირი — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მოსამართლეობდა *სააჯო კარში*. რთული და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად მეფე დარბაზს იწვევდა. სახელმწ. ს. დაწესებულებას „დივანი" ერქვა, ხოლო უფროს მოსამართლეს — *მდივანბეგი*. მცირე მნიშვნელობის საქმეებს არჩევდნენ ხეთისთავები, მოურავები, მეთემეები.

რუსეთში გატარდა ბურჟ. *სასამართლო რეფორმა* (1864), რ-მაც შემოიღო *ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სამომრიგებლო სასამართლო* და *ადვოკატურა*.

ოქტ. რევ. შემდეგ ს-ს შესახებ ლენინური დეკრეტით (1917 წ. 22 ნოემბ.) მეფის რუს. ს. სისტემა გაუქმდა. მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სახ. ს-ებს დაეკისრა.

მართლმსაჯულება სოციალ. საზ-ბაში მოწოდებულია დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან საზ. და სახელმწ. წესწყობილება, მეურნ. სოციალ. სისტემა და სოციალ. საკუთრება, მოქალაქეთა, სახელმწ. დაწესებულებების, საწარმოების, კოლ-ბების, კოოპ. და სხვ. საზ. ორგანიზაციების უფლებები და კანონით დაცული ინტერესები. მართლმსაჯულების ამოცანაა აგრეთვე უზრუნველყოს ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ საბჭ. კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულება. მართლმსაჯულება ხორციელდება ისეთი დემოკრ. პრინციპების საწყისებზე, როგორიცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, საქმეთა განხილვა ღია ს. სხდომაზე, კანონისა და ს-ს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, *უდანაშაულობის პრეზუმფცია* და ა. შ.

მართლმსაჯულებას სსრკ-ში ახორციელებენ სსრკ უმაღლესი ს., მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი ს-ები, ოლქის, მხარის, ქალაქის ს-ები, ავტონ. ოლქის, ნაციონალური ოკრუგის ს-ები, რ-ნის სახ. ს. და სამხ. ტრიბუნალები. მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდ. დახმარების გასაწევად შექმნილია ადვოკატთა კოლეგიები.

საქ. სსრ ს. სისტემას შეადგენს საქ. სსრ უმაღლესი ს., აფხ. ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი ს-ები, თბილ. საქალაქო ს., სამხრ. ოსეთის აო საოლქო ს. და რ-ნული (საქალაქო) სახ. ს-ები. საქ. სსრ-ში, ისე როგორც მთელ სსრკ-ში, ყველა ს. იქმნება მოსამართლეთა და სახ. მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე. საქ. სსრ ს-ების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს სსრკ და საქ. სსრ კონსტიტუციები, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების ს. წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები, კანონი საქ. სსრ ს. წყობილების შესახებ, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართ. ს. წარმოების საფუძვლები, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო ს. წარმოების საფუძვლები, საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდექსი და საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდექსი. სამოქალაქო და სისხლის სამართ. საქმეების განხილვა ყველა ს-ში ხდება კოლეგიურად. სამართალწარმოება საქ. სსრ-ში მიმდინარეობს ქართ. ენაზე ან ავტონ. რესპ., ავტონ. ოლქის ან მოცემული ადგილის მოსახლ. უმრავლესობის ენაზე (იხ. *ეროვნული ენა*). *თ. ლილუაშვილი. გ. ნადარეიშვილი.*

სასამართლო აღმასრულებელი, თანამდებობის პირი, რ-იც ახორციელებს სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის თაობაზე მიღებული *გადაწყვეტილების, განჩინებისა* და *დადგენილების, მორიგების* იძულებით შესრულებას, აგრეთვე სისხლის სამართ. საქმის თაობაზე მიღებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში. სსრკ-ში ს. ა. აღასრულებს აგრეთვე საარბიტრაჟო ორგანოების, სამედიატორო სასამართლოების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვათა გადაწყვეტილებებს.

სასამართლო ბალისტიკა, კრიმინალისტიკის დარგი, შეისწავლის დანაშაულის გამოძიებისას წამოჭრილ იმ ტექნიკურ საკითხებს, რ-ებიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან. შესწავლის ობიექტია ხელის ცეცხლსასროლი იარაღი, მასთან დაკავშირებული საბრძოლო მასალა, გასროლის კვალი (ჭურვის კვალი) — ნახვრეტები, ნაკაწრები, ახლო გასროლის კვალი (დენთის აირის, ალის, ჭვარტლის ნალექისა და სხვ. მექან. და თერმული ზემოქმედება). ს. ბ. განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის სახეობას, სისტემას, ჭურვის სახეს (ტყვია, საფანტი); ადგენს გამოყენებული იარაღის იდენტიფიკაციას ადგილზე აღმოჩენილი ტყვიისა და პილზის მიხედვით, განსაზღვრავს სროლის მიმართულებასა და დისტანციას და სხვ. ყოველივე ამას კონკრ. შემთხვევაში ადგენს სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა.

ს. ბ. ეყრდნობა საბუნებისმეტყველო და ტექ. მეცნ. თანამედროვე მიღწევებს, მ. შ. *ბალისტიკას*.

სასამართლო გადაწყვეტილება, პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რ-ითაც საქმე წყდება არსებითად. გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს საქ. სსრ სახელით. მოსამართლე და მსაჯულები ს. გ-ს იღებენ ხმის უმრავლესობით, ამასთან, იცავენ მოსამართლეთა თანაბრის საიდუმლოებას.

ს. გ-ის შესავალში აღინიშნება გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, საქმეში მონაწილე პირები და დავის საგანი. აღწერილობითი ნაწილი შეიცავს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნაზე, მოპასუხის შესაგებელსა და საქმეში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებზე. სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რ-ებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, კანონები, რ-ებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო. სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაპროტესტების ვადასა და წესს. ს. გ. უნდა ემყარებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რ-ებიც განხილული და გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე. ს. გ. კანონიერ ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. *თ. ლილუაშვილი.*

სასამართლო გამოძიება, სამსჯავრო გამოძიება, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ნაწილი, რ-ის დროსაც ამოწმებენ და იკვლევენ საქმეზე მოპოვებულ ყველა მტკიცებულებას. ს. გ. ტარდება პირველი ინსტანციის სასამართლოში. მასში მონაწილეობენ *განსასჯელი, დაზარალებული*, სამოქალაქო *მოსარჩელე*, სამოქალაქო *მოპასუხე*, სახელმწ. *ბრალმდებელი*, დამცველი, საზ. დამცველი და სასამართლო პროცესის სხვა მონაწილენი. ს. გ. ყება საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებით. ს. გ-ის დროს იკვლევენ და ამოწმებენ ყველა მტკიცებულებას, დაკითხავენ განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეს, ექსპერტს, ათვალიერებენ ნივთიერ მტკიცებულებებს, შემთხვევის ადგილს და სხვ. სრული, ყოველმხრივი და ობიექტური ს. გ-ის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაცვა სასამართლო პროცესის ძირითადი პრინციპებისა — საქვეყნოობა, ზეპირობა, უშუალობა, პროცესის მონაწილეთა პროცესუალური უფლებების თანასწორობა და სხვ.; მტკიცებულებანი, რ-ებიც ს. გ. დროს შემოწმებული არ არის, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განაჩენს. საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მმ. 280—297. *ა. ფალიაშვილი.*

სასამართლო ზედამხედველობა, სტ. *საზედამხედველო წარმოება*.

სასამართლო კამათი, სასამართლო პროცესში სასამართლო განხილვის ნაწილი, რ-შიც პროცესის მონაწილენი აჯამებენ სასამართლოს მიერ ჩატარებული გამოძიების გარემოებათა გამოკვლევას და გამოქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა დაწყდეს იგი. საბჭ. სისხლის სამართლის პროცესში ს. კ. მოიცავს სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის მათი წარმომადგენლების, დამცველების, ან, თუ სამსჯავრო სხდომაზე დამცველი არ მონაწილეობს, თვით განსასჯელის ტყვებს, ხოლო ე. წ. კერძო ბრალდების საქმეებზე, გარდა აღნიშნულისა, — ზარალებულის (ან მისი წარმომადგენლის) სიტყვას. ს. კ-ის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, მაგრამ თავ-რეს უფლება აქვს შეაჩეროს გამომსვლელი, თუ ეხება ისეთ გარემოებებს, რ-ებსაც საქმესთან კავშირი არა აქვს. სიტყვების შემდეგ კამათის მონაწილეებს შეუძლიათ რეპლიკით გამოვიდნენ.

ძვ. საქართველოში ს. კ-ს *სიტყვის ბა* ერქვა.

სასამართლო მედიცინა, სამედიცინო დისციპლინა, რ-იც ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს წყვეტს სამედიცინო და ბიოლოგიური სიათის საკითხებს, რ-ებიც წამოიჭრება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაობის პროცესში. ს. მ. დიდ დახმარებას უწევს ჯანდაცვის ორგანოებს სამკურნალო და პროფილაქტ. ღონისძიებების გატარებაში — ავლენს საექიმო და დიაგნოსტიკურ შეცდომებს, ტრავმატიზმის, მოწყლის მიზეზებს და სხვ. ს. მ. მჭიდროდ დაკავშირებული მრავალ სამედ. (ქათედრა ანატომია, ტრავმატოლოგია, ტოქსიკოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია და სხვ.) და სამართლებრივ (კრიმინალისტიკა, სისხლისა და სამოქალაქო სამართალი და სხვ.) დისციპლინასთან. ს. მ-ის პრაქტიკის ნაწილია *სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა*.

სასამართლო სამედ. ექსპერტიზა პირველად სეთში ოფიციალურად დააკანონა პეტრე I-მა 1716. პირველი რუს. სახელმძღვანელო (ს. გრომოვი) 1842 გამოქვეყნდა. ს. მ-ის განვითარებაში განსაზღვრული როლი ითამაშა ჟურნალმა «Архив судебной медицины и общественной гигиены» (1865-იდან). 1932 მოსკოვში შეიქმნა ს. მ-ის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1937 შემოღებულ იქნა სსრკ ჯანსახკომის მთავარი სასამართლო სამედ. ექსპერტის თანამდებობა. 1958-ში გამოდის ჟურნ. «Судебно-медицинская экспертиза». 1946 შეიქმნა სასამართლო სამედიკოსთა საკავშ. სამეცნ. საზ-ბა.

საქართველოში სასამართლო რეფორმამდე სასამართლო სამედ. ექსპერტიზა შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, რეფორმის (1846) შემდეგ მისი ჩატარება დაევალა საქალაქო, სამაზრო და საგუბერნიო ექიმებს. რევოლუციამდელ საქართველოში ისე როგორც რუსეთში, სასამართლო

ქსპერტიზა შედიოდა შინაგან საქ-
ამინისტროს სისტემაში, რეორგანიზა-
დეგ კი გადავიდა ჯანდაცვის ორგა-
კამგებლობაში. 1931 რესპუბლიკაში
ქსპერტის 25 საშტატო ერთეული,
კი უკვე 46. 1952 საქართველოში
ა მთავარი სასამართლო სამედ. ექს-
ხის ბიურო. ამჟამად რესპუბლი-
მუშაობს სხვადასხვა სპეციალობის
სამართლო სამედ. ექსპერტი და 10
ტ-ქიმიკოსი. თბილ. სამედ. ინ-ტში
. მ-ის კათედრა. თბილ. ექიმთა და-
ების ინ-ტში ტარდება ადგილ. და
სკოავშირე რესპუბლიკების სპეცია-
იისა და დახელოვნების ციკლები.
ამოყალიბდა სასამართლო მედიკოს-
ართვ. სამეცნ. საზ-ბა. საქართველო-
მ-ის სამეცნ.-პედ. და პრაქტ. მუშა-
დიდი ღვაწლი მიუძღვით ვ. ჟღენტს,
ივშვილს და ვ. შანიძეს, რ-მაც შეა-
ს. მ-ის პირველი სახელმძღვანელო
ეწაზე (1961). *რ. გვეტაძე.*

ართლო ორთაბრძოლა, იხ. სტ.
იები.

ართლო პრაქტიკა, სასამართლოს
ობა, რაც გამოიხატება არსებული
დებლობის საფუძველზე კონკრე-
საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში.
როლოს საქმიანობა აისახება მის
ილებულ სამართ. აქტში (*სასამარ-
გადაწყვეტილება, განაჩენი, გან-
, დადგენილება*). ამ აქტს იურიდი-
სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ
ელი საქმისათვის. კანონის კონკრე-
იისა და არაერთგზის გამოყენების
ბაზე ს. პ-ში ყალიბდება დებულე-
რ-ებიც კანონის შინაარსის სწორი,
ეთებული განმარტების წყალობით
ქმედებას ახდენენ სხვა, ანალოგიურ
ა გადაწყვეტაზე. ასეთი დებულებე-
ს უწყობენ ს. პ-ის ერთიანობას.
კ უმაღლესი სასამართლოს პლენუ-
ლებამოსილია მისცეს სასამართლო-
პელმძღვანელო განმარტება მოქმედი
ხდებლობის გამოყენების საკითხებზე,
ყველასათვის სავალდებულოა. ანა-
ური უფლებები აქვთ მინიჭებული
ქირე რესპუბლიკების უმაღლესი სა-
ილოების პლენუმებს. იხ. აგრეთვე
რეცედენტი. გ. ტყეშელიაძე.

ართლო რეფორმა 1864, სასამარ-
სისტემის, სამოქალაქო და სისხლის
იალწარმოების რეფორმა რუსეთში.
გამოწვეული იყო განვითარებული
ილ. ურთიერთობებით და ტარდებო-
54 წ. 20 ნოემბ. მიღებული სასამარ-
წესდებების საფუძველზე. სასამარ-
წესდებებში ასახეა პოვა სასამართლო
ლებისა და სამართალწარმოების
ა რიგმა ბურჟ. პრინციპებმა: სასა-
ოს გამოყოფა ადმინისტრაციისა-
ოლო საბრალდებო ხელისუფლები-
სასამართლო ხელისუფლებისაგან,
რთლეთა შეუცვლელობა, მართლმსა-
ების განხორციელებაში ხალხ. ელე-
შეტანა (*ნაფიც მსაჯულთა სა-
ლო*). ადვოკატურის დაარსება, პრო-
საქვეყნოობის ზეპირობისა შეჯიბ-
ობის გამოცხადება, მტკიცებულება-
ორმალური სისტემის შეცვლა, მათი
უფალი შეფასება და ა. შ.
რ-მ დააწესა სასამართლოთა 2 სის-
1. *სამომრიგებლო სასამართლოები*;
ული მაზრის სამომრიგებლო ოკრუ-
ოფოდა სამომრიგებლო უბნებად —
ანციის სასამართლოებად. სააპელა-
ნსტანცია იყო მომრიგებელ მოსამარ-
ა ყრილობა; 2. საერთო სასამართ-
, რ-ებშიც შედიოდა საოკრუგო
რთლოები და სასამართლო პალა-
საოკრუგო სასამართლოები იხილავ-
იმ სისხლის სამართ. საქმეებს,
სამომრიგებლო სასამართლოების
ელეული არ იყო. მეტად მძიმე და-
ლის საქმეებს ისმენდნენ ნაფიც მსა-
ა მონაწილეობით. საოკრუგო სასა-
მართლოებისათვის სააპელაციო ინსტან-
ციად ითვლებოდა სასამართლო პალატა;
უზენაესი, საკასაციო და უმაღლესი სა-
დამხედველო სასამართლო იყო სენატი,
რ-იც სამოქალაქო და სისხლის სამართ. დე-
პარტამენტებისაგან შედგებოდა; სენატს
ზოგიერთი საქმე შეეძლო განეხილა რო-
გორც I ინსტანციას.

რუს. განაპირა მხარეებში ს. რ. შეკვე-
ცილად ტარდებოდა. კერძოდ, საქართვე-
ლოში არ განხორციელებულა მოსამართ-
ლეთა არჩევითობა და შეუცვლელობა, აგ-
რეთვე ნაფიც მსაჯულთა ინ-ტი. მთელი
ამიერკავკასიისათვის უმაღლესი სამარ-
თალმსაჯულო ორგანოს — სასამართლო
პალატისა და საგუბერნიო-საოლქო სასა-
მართლოების გვერდით დაწესდა სამომრი-
გებლო განყ-ბები.

რუსეთში ჩატარებულ ს. რ-ს პროგრ.
მნიშვნელობა ჰქონდა. ახ. სისტემამ შეცვა-
ლა სასამართლოთა ძალზე დაქუცმაცებუ-
ლი სისტემა, სადაც საქმეებს განიხილავ-
დნენ *სამძებრო პროცესის* საფუძველზე,
კარდახშულში და სხვ. ს. რ. თანდათანო-
ბით ძირეულად გადაისინჯა და ბოლოს ეს
გადასინჯვა დამთავრდა 1889 სასამარ-
ლო-ადმ. „კონტრრეფორმით“, რ-მაც სრუ-
ლიად უარყო 1864 მნიშვნელოვანი პრინ-
ციპი — დაბალი რგოლის სასამართლოს
გამოყოფა ადმინისტრაციისაგან; შემოიღო
უბნის საერობო უფროსის ინ-ტი, რ-იც
გლეხების მიმართ სასამართლო და ადმ.
ფუნქციებს ახორციელებდა.

**სასამართლო-სამედიცინო ექსპერ-
ტიზა,** სამედიცინო გამოკვლევა და დასკ-
ვნა სპეციალურ სამედიცინო და ბიოლო-
გიურ საკითხებზე, რ-ებიც წამოიჭრება
სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში.
ტარდება მხოლოდ საგამოძიებო და სა-
სამართლო ორგანოების დადგენილებით
ადამიანის სიკვდილის მიზეზის, სხეულის
დაზიანების ხასიათის, ჯანმრთელობისა
და ასაკის, სიმთვრალის ხარისხისა და პი-
როვნების იდენტიფიკაციის დასადგენად.
სსრკ-ში ს.-ს. ე-ს ატარებენ ექიმი-სპეცია-
ლისტები — სასამართლო-სამედ. ექსპერ-
ტები. თუ ექსპერტი ადგილზე არ აღმოჩნ-
და, ს.-ს. ე. შეიძლება დაევალოს ყველა
სპეციალობის ექიმს. გართულებულ შემ-
თხვევაში ს.-ს. ე-ის ჩატარება ევალება
რამდენიმე ექსპერტს სხვა სპეციალობის
ექიმებთან ერთად. ს.-ს. ე. ტარდება სა-
სამართლო-სამედ. ექსპერტიზის ბიურო-
ში. ს.-ს. ე-ის საკითხებს შეისწავლის
სასამართლო მედიცინა. რ. გვეტაძე.

სასამართლო სისტემა, ერთობლიობა
სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებისა,
რ-ებიც მართლმსაჯულების განსახორცი-
ელებლად კანონით დადგენილი ურთიერ-
თობებით არიან დაკავშირებული ერთმა-
ნეთთან. საბჭ. ს. ს. შედგება სსრკ სასამარ-
თლოებისა (სსრკ უმაღლესი სასამართლო
და სამხ. ტრიბუნალები) და მოკავშირე
რესპუბლიკების სასამართლოებისაგან (მო-
კავშირე და ავტონ. რესპუბლიკების
უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო,
საოლქო, საქალაქო სასამართლოები,
ავტონ. ოლქებისა და ავტონ. ოკრუ-
გების, რ-ნების, ქ-ების სახ. სასამარ-
თლოები). სამხ. ტრიბუნალები და ე. წ.
საერთო სასამართლოები ქმნიან ორ და-
მოუკიდებელ შტოს, რ-ებიც ორგანიზაცი-
ულად გაერთიანებულია ერთიან ს. ს-ში.
საბჭ. ს. ს-ის უმაღლესი რგოლია სსრკ
უმაღლესი სასამართლო.

ს. ს-ის აგებას საფუძვლად უდევს შემ-
დეგი პრინციპები: ს. ს-ის ერთიანობა;
ს. ს-ის სტრუქტურის დამოკიდებულება
სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების
სახელმწ. წყობილებაზე; ორინსტან-
ციურობა (სასამართლოს განაჩენი
და გადაწყვეტილება მათ კანონიერ
ძალაში შესვლამდე შეიძლება გადაი-
სინჯოს საერთო წესით მხოლოდ ერთხელ
უშუალოდ ზემდგომ სასამართლოში).

სასამართლო სტატისტიკა, სტატის-
ტიკის დარგი, რ-იც კრებს და შეისწავლის
ცნობებს უკვე ცნობილი და სახელმწიფოს
კომპეტენტური ორგანოების მიერ განხი-
ლული დანაშაულებისა და სხვა სამართალ-
დარღვევების შესახებ, აგრეთვე აღრიცხავს
ამ სამართალდარღვევებთან ბრძოლის ღო-
ნისძიებებს. სსრკ-ში ს. ს-ის მთავარი სახეო-
ბია სისხლისსამართ. სტატისტიკა, სამოქა-
ლაქო სამართ. სტატისტიკა, ადმ. სამარ-
თალდარღვევების სტატისტიკა. ს. ს-ის მაჩ-
ვენებლები ასახავენ სამართალდარღვევათა
სტრუქტურასა და დინამიკას. სისხლისსამა-
ართ. სტატისტიკა სტატისტ. მეთოდების
საშუალებით იკვლევს დანაშაულობას და
მასთან ბრძოლის სისხლისსამართ. ღონის-
ძიებებს. იგი იყოფა წინასწარი გამოძიების
სტატისტიკად, სისხლის სამართ. სასამართ-
ლო წარმოების სტატისტიკად, განაჩენების
აღსრულების სტატისტიკად. შინაგან საქ-
მეთა ორგანოების მიერ დანაშაულის თავი-
დან აცილებისა და გახსნის სტატისტიკად,
დამნაშავეობის ერთიან სტატისტიკად, რ-იც
ასახავს მის მდგომარეობასა და ტენდენ-
ციებს, აგრეთვე დამნაშავის პიროვნების
შესახებ მონაცემებს და სხვ. სამოქალაქო
სამართ. სტატისტიკა იყოფა სამოქალაქო
სამართალწარმოებისა და სასამართლო
გადაწყვეტილებების შესრულების სტატის-
ტიკად.

ს. ს-ს დიდი მნიშვნელობა აქვს სოცი-
ალ. კანონიერების დარღვევების შესწავ-
ლისა და თავიდან აცილების მიზნით მუ-
შაობის დაგეგმვისა და მისი ეფექტურობის
ამაღლებისათვის.

სასამართლო ფოტოგრაფია, ფოტო-
გადაღების მეთოდების სისტემა *კრიმინა-
ლისტიკაში*; დანაშაულის გამოძიების დროს
იყენებენ საგამოძიებო და ოპერატიულ-
სამძებრო მუშაობისას სასამართლო *ექს-
პერტიზის* პროცესში მტკიცებულებათა გა-
მოსაკვლევად. ს. ფ-ში შედის შემთხვე-
ვის ადგილის, ჩხრეკის, საგამოძიებო ექს-
პერიმენტის, ცოცხალი პირების, გვამების,
დოკუმენტების, დანაშაულის იარაღისა
და სხვ. ფოტოგადაღება. ს. ფ-ის მეთოდე-
ბია: 1. *ა ღ ბ ე ჭ დ ვ ი თ ი* — იყენებენ
ისეთი ნიშნების აღსაბეჭდად, რ-ებიც მხე-
დველობის საშუალებით აღიქმება (მაგ.,
პანორამული ფოტოსურათი აფიქსირებს უბ-
ნის განფენილობას; ამოსაცნობი—ადამიანის
სახეს ანფასში ან პროფილში; რეპროდუქ-
ციული გამოიყენება დოკუმენტებისათვის
და სხვ.); 2. *კ ვ ლ ე ვ ი თ ი* — იყენებენ
ისეთი დეტალების გამოსაველენად, რ-თა და-
ნახვაც შეუიარაღებელი თვალით შეუძლე-
ბელია (მაგ., ფოტოგადაღება ინფრაწი-
თელი, ულტრაიისფერი, რენტგენის სხი-
ვებისა და სხვ. ამგვარი საშუალებით).
ს. ფ., როგორც მტკიცებულებათა ფიქსა-
ციის საშუალება, გათვალისწინებულია
საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კო-
დექსში (მმ. 75, 179, 183).

სასამართლო ფსიქიატრია, ფსიქიატ-
რიის დარგი, რ-იც შეისწავლის ფსიქიკუ-
რი მოქმედების დარღვევას სისხლის სა-
მართლის, სამოქალაქო სამართლისა და
პროცესის საკითხებთან დაკავშირებით.
სისხლის სამართალში ს. ფ-ის მიზანია იმ
ფსიქოპათოლ. კრიტერიუმების დადგენა,
რ-თა მიხედვითაც გამორიცხულია ამა თუ
იმ პირის უნარი გააკონტროლოს და წარ-
მართოს თავისი მოქმედება, რის გამოც
არ აგებს პასუხს თავის ქმედებაზე (შეუ-
რაცხადია), აგრეთვე იმ დაზარალებულისა
და *მოწმის* პიროვნების შესწავლა, რ-ის
ფსიქ. მდგომარეობა ეჭვს იწვევს მომხდა-
რი მოვლენების სწორად აღქმისა და სწო-
რი ჩვენების მიცემის თვალსაზრისით.

სამოქალაქო სამართლის პროცესში ს.
ფ. განსაზღვრავს შეიძლება თუ არა ამა
თუ იმ პირს ჰქონდეს მოქალაქეობრივი
უფლებები და მოვალეობანი; ადგენს შეუ-
ძლია თუ არა მოსარჩლეს ან მოპასუხეს
სწორად გაერკვეს თავის მოქმედებაში და
წარმართოს იგი, რის საფუძველზეც სასა-

მართლოს გამოაქვს დასკვნა პირის ქმედუნარიანობის, მის მიერ წარმოებული გარიგების სისწორის, მასზე მეურვეობის დანიშვნის აუცილებლობისა და სხვათა შესახებ.

ფსიქიკის დარღვევის სიღრმის დადგენა ევალება *სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას*. სსრკ-ში ს. შ-ს მეცნ.-მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს ვ. სერბსკის სახ. სასამართლო ფსიქიატრიის ცენტრ. ინ-ტი, საქ. სსრ-ში — მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სასამართლო-ფსიქიატრიული განყ-ბა.

ვ. ჯიმშელეიშვილი.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულისა და სხვ. პირთა ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება; ნიშნავენ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები. ს.-შ. ე-ის დანიშვნა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო-საგამოძიებო ორგანო საეჭვოდ მიიჩნევს ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის ფსიქ. მდგომარეობას (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 71, პ. 2, 3). ბრალდებულის ს.-შ. ე. იკვლევს მისი *შერაცხადობისა* თუ *შეურაცხადობის* და კანონით გათვალისწინებულ სამედ. ხასიათის ღონისძიებათა გამოყენების საკითხებს. მოწმეთა და დაზარალებულთა ექსპერტიზის დროს ძირითადი ამოცანაა დადგინდეს, თუ რამდენად სწორად შეუძლიათ მათ აღიქვან სასამართლო საქმისათვის საჭირო გარემოებანი. სამოქალაქო პროცესში ს.-შ. ე. ინიშნება მოსარჩელის ან მოპასუხის *ქმედუნარიანობის* საკითხის გადასაწყვეტად. ს.-შ. ე-ის დასკვნა მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო-საგამოძიებო ორგანო არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას, საჭიროა ამის მოტივირება.

სასამართლო ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებათა გამოვლენის თავისებურებებს დანაშაულებათა თავიდან აცილების, სასამართლო წარმოების, დამნაშავეთა გამოსწორებისა და აღზრდის სფეროში. ს. ფ. იკვლევს დანაშავის ცნობიერებაში ანტისოც. შეხედულებებისა და ჩვეულებების შეჭრისა და განმტკიცების, დანაშაულებრივი მიზნებისა და მოტივების ფორმირებისა და რეალიზაციის „მექანიზმებს"; სასამართლო წარმოებაში მონაწილე პირთა ფსიქიკის თავისებურებათა გავლენას საქმის მიმართ მათ პოზიციაზე, ახსნის შინაარსსა და გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ს. შ-ის მონაცემები გამოიყენება კრიმინალისტიკაში საგამოძიებო საქმიანობის (მ. შ. დამნაშავე პიროვნების შესწავლა, მოწმის ჩვენების ობიექტურობის მიღწევა და სხვ.), ტაქტიკისა და ხერხების დამუშავებაში, სასჯელის ზომების ეფექტურობის შეფასებასა და მათი გამოყენების რეკომენდაციების დამუშავებაში, დანაშაულებათა თავიდან აცილების ზომების დამუშავებასა და დანაშაულებათა მიზეზების შესწავლაში.

ლიტ.: გ რ ი გ ო ლ ა ვ ა ვ., გამოყენებითი ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ნაწ. 1, თბ., 1964; უ ზ ნ ა ძ ე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940; П о з н ы ш е в С. В., Криминальная психология, Л., 1926; Ш т е р н Э., Прикладная психология, М., 1924.

სასამართლო წესდებანი 1864, იმ საკანონმდებლო აქტების ოფიციალური სახელწოდება რუსეთში, რ-ებიც საფუძვლად დაედო 1864 *სასამართლო რეფორმას*.

სასამართლო წყობილება, 1. სამართლის დარგი, იმ ნორმათა ერთობლიობა, რ-ებიც ადგენენ სასამართლოების ამოცანებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებს, სტრუქტურასა და კომპეტენციას. ს. წ-ის ნორმები მოცემულია სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების კონსტიტუციებში, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებში სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირში (1958, 1980 რედაქციით). დებულებებში სამხ. ტრიბუნალების შესახებ (1958) და სსრკ უმაღლესი სასამართლოს შესახებ (1979). გარდა ამისა, ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში მიღებულია ს. წ-ის კანონი (საქართველოში — 1981 წ. 25 ნოემბ.). ს. წ-ის რესპ. კანონები ძირითად საკითხებს სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ წყვეტენ საერთო-საკავშ. კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად. ამასთანავე, ზოგიერთი საკითხი წყდება ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკაში თითოეულის კონკრ. ისტ., ეროვნ. და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. 2. სასამართლო დაწესებულებათა სისტემა (იხ. *სასამართლო სისტემა*). სსრკ-ში ს. წ. ეყრდნობა დემოკრ. პრინციპს: სასამართლო სისტემის ერთიანობას, ყველა მოქალაქისათვის ერთიან და თანაბარ სასამართლოს, ყველა სასამართლოს შექმნას არჩევითობის საწყისებზე და სხვ. *რ. ცინცაძე.*

სასამართლო ხარჯები, თანხა, რ-საც უხდიან მოწმეს, დაზარალებულს, თანამოწმეს, ექსპერტს, თარჯიმანს სასამართლოში გამოცხადებისათვის ან სასამართლოსა თუ გამომძიების ორგანოების დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად. ს. ხ-ს შეადგენს ის თანხაც, რ-იც დაეხარჯა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შესანახად, გადასაგზავნად ან გამოსაკვლევად და აგრეთვე სასამართლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდ., მმ. 91—101; საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მმ. 105—107). ს. ხ-ს, როგორც წესი, სისხლის სამართ. საქმეზე ახდევინებენ მსჯავრდებულს, სამოქალაქო სამართ. საქმეზე კი — იმ მხარეს, რ-ის პრეტენზია უსაფუძვლო აღმოჩნდა. შრომის, საალიმენტო და ზოგიერთ სხვ. სამოქალაქო საქმეში მოსარჩელე ს. ხ-გან თავისუფალია.

სასამართლო ხელისუფლება, ბურჟუაზიულ სამართალში იმ სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რ-თაც კანონი მართლმსაჯულების განხორციელებას აკისრებს. ბურჟ. მეცნიერება ს. ხ-ს განიხილავს, როგორც სამართო ხელისუფლების დამოუკიდებელ სფეროს, რ-იც უპირისპირდება აღმასრ. ხელისუფლებას და საკანონმდებლო ხელისუფლებას. ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს *„ხელისუფლების დანაწილების"* თეორია.

სასამართლო ხელმძღვანელობა, კრიმინალისტიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ხელწერას და მისი გამოკვლევის მეთოდებს დანაშაულის გამოძიებისა და სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის სასამართლო გარჩევის პროცესში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად. თანამედროვე ს. ხ-ის ძირითადი დანიშნულებაა პიროვნების იდენტიფიკაცია ხელწერის მიხედვით — ე. ი. იმის დადგენა, ეკუთვნის თუ არა განსაზღვრული ჩანაწერი ან ხელმოწერა ამა თუ იმ კაცს. ამისთვის ტარდება ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, რაც თითოეული ადამიანის ხელწერის ინდივიდუალობაზეა დაფუძნებული. ექსპერტიზის დროს შეისწავლიან ხელწერის საერთო (ნიშანთა სიდიდე, სისწრაფე და სხვ.) და კერძო (მოძრაობის მიმართულება ასოთა დაწერისას, ასოების ან მისი ელემენტების შეერთების ხერხი და სხვ.) ნიშნებს. ხელწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა შეიძლება გამოიყენონ იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობაში შესრულდა ეს ხელნაწერი (მაგ., წერილი დაწერა ფეხზე მდგომმა), შეიძლება დადგინდეს აგრეთვე, თუ რა მდგომარეობაში იყო თვით დამწერი (აღელვებული, მთვრალი, აქვს ხელის ტრავმა, ნერვული დაავადება) და ა. შ.

სასამსახურო ძაღლები, სხვადასხ ჯიშის ძაღლები, რ-თაც იყენებენ სამართლოდ, სამძებროდ, სამწყემსოდ, მარხილ შესაბამისად და სხვა საჭიროებისათვ ს. ძ. გამოირჩევიან მძლავრი აღნაგობი პატრონისა და მინდობილი ობიექტის კა გად დაცვის ინსტინქტით, დაუნდობლობი საყარაულო და სამძებრო ძაღლებს სპე წვრთნის შემდეგ იყენებენ სახელმწ. სამ ვრებისა და სამხ. სამრეწვ. და სამეურ ობიექტების დასაცავად, ბოროტმოქმე თა მოსაძებნად, გეოლ. ექსპედიციე ში — მიწის წიაღში მადნის აღმოსაჩენა მიწისქვეშა აირის ქსლის დაზიანებუ ადგილების მისაგნებად; სამხ. სამსახურშ მეკავშირეებად, სანიტრებად, ნაღმის მაძ ებლებად და სხვ.; სამწყემსო ძაღლებ მეცხოველეობაში მტაცებლებისაგან ქონლის დასაცავად. შესაბამედ ძაღლე ჩრდ-ში სატრანსპ. საშუალებად იყენებ ს. ძ-ს განეკუთვნება „ყველა ჯიშის ნაგაზ დობერმან-პინშერი, დოგი, ერდელტერ ერი, ბოქსიორი, ბულდოგი, სენბერნარ ნიუფაუნდლენდი, ჩრდ.-აღმოსავლეთ ყეფია, როტვეილერი, რიზენშნაუცერ შავი ტერიერი, მოსკოური საყარაულო სხვ. მსოფლიოში აღრიცხულია 100-მ ს. ძ-ს ჯიში, აქედან დაახლ. 20 — სსრ ში. საქართველოში გავრცელებული კა ნაგაზი უძველესი ადგილ. ჯიშია, რ-ს ფართოდ იყენებენ მეცხოველეობის ფე მების დასაცავად. საქართველოში გავ ცელდა აგრეთვე გერმ. ნაგაზი, ბოქ ორი, დოგი, დობერმან-პინშერი, მცი რაოდენობით — კოლი, ერდელტერიერ სენბერნარი, ნიუფაუნდლენდი, როტვე ლერი, რიზენშნაუცერი, შავი ტერიერი

გ. საკაძ

სასანიანები, სამეფო დინასტია ირან (226—651); წარმოშობით *ფარსიდან* იყ ნენ. სახელი ეწოდა სასანის მიხედვი რ-იც ქალღმერთ ანაჰიტას ტაძრის ქურუ იყო და ფარსის სამეფო საგვარეულ ეკუთვნოდა, მისი შვილი პაპაკი ისთანხრ მმართველი იყო (მას მეფის ტიტულ ჰქონდა). პაპაკის შვილმა არდაშირ I-ი დაამარცხა უკანასკნელი პართელი მე არტაბან V და თავისი ძალაუფლება გ ავრცელა მთელ რიგ ოლქებზე, რ-ებ ადრე პართიის სახელმწიფოში შედიოდ ს-ის ხელმწიფეებს შაპურ I-იდან (24 273) მოყოლებული ირანის და არა ირან მეფეთმეფის (შაჰინშაჰის) წოდებულე ჰქონდათ. III ს-ში სახელმწიფოს ცენტრ ლიზაციის მიზნით ოფიც. რელიგიად გ მოცხადდა *ზოროასტრიზმი*, რ-ის გავრც ლებასაც ს. IV ს-იდან იბერიასა და სო ხეთშიც ცდილობდნენ, მაგრამ ამ ცდ წარმატება არ მოჰყოლია. ს-ის დროს ირა ში მიმდინარეობდა ფეოდ. ურთიერთობ ჩასახვა-განვითარების პროცესი. გაბატ ნებული კლასი შედგებოდა ქურუმთა, მ დართა და „მწერალთა" (მოხელეთ პრივილეგირებული წოდებისაგან. ს ირანის ეკონ. ცხოვრების საფუძველი წათმოქმედება იყო, ქვეყნის ეკონ. ცხო რებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობ ხელოსნობა და სატრანზიტო ვაჭრობა დღეთ-ჩინეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვე ნებთან. ძირითადი მწარმოებლები — გლ ხები — ფეოდალურად თანდათან დამოკ დებული ხდებოდნენ დიდებულებისგა ს-ის წინააღმდეგ მიმართული სახ. მოძრ ობები რელიგ. საბურველში იყო გახვე ლი. III ს-ში ირანსა და შუა აზიაში ფა თად გავრცელდა მანიქეველთა მოძრაობ V ს. ბოლო წლებში, კავად I-ის დრო იფეთქა დიდმა ანტიფეოდ. მოძრაობა რ-საც სათავეში ჩაუდგა მაზდაკი. *მაზდ კელთა მოძრაობის* ობიექტური შედეგ იყო ქურუმებისა და დიდებულების გავლ ნის შესუსტება, სახელმწიფოს ცენტრალ ზაცია, ფეოდ. ურთიერთობის შემდგო განვითარება. ს-ის ირანში მაღალ დონე იყო კულტურა. ს. საუკუნეების მანძილ ებრძოდნენ რომს (ბიზანტიას) სომხეთი

სასანიანები

სასანიანთა შაჰები

არდაშირ I	226/41
შაპურ I	242/ 73
პორმიზდ I (პორმიზდ-არდაშირი)	273/74
ბაპრამ I	274/76
ბაპრამ II	276/93
ბაპრამ III	293
ნარსე	293/302
პორმიზდ II	302/ 09
შაპურ II	309/79
არდაშირ II	379/83
შაპურ III	383/ 88
ბაპრამ IV	3 88/99
იეზდიგერდ I	399/ 421
ბაპრამ V გური	421/438
იეზდიგერდ II	438/57
პორმიზდ III	457/59
პეროზი	459/ 84
ბალაში	484/88
კავად I	488/96; 498/99 — —531
ჯამასპი	496—98/99
ხოსრო I ანუშირვანი	531/79
პორმიზდ IV	579/90
ბაპრამ ჩუბინი	590/91 (არასასანიანთა საგვარეულოდან)
ხოსრო II ფარვიზი	591/628
კავად II	628
არდაშირ III	628/29
ფარუხან შაპრვარაზი (არასასანიანთა საგვარეულოდან)	629
ბორანი(დედოფალი)	629/30
აზარმედუხტი (დედოფალი)	630/31
ხოსრო III / პორმიზდ V	629/32 სახელმწ.

სხვადასხვა ნაწილში შაჰებად ითვლებოდნენ ფაროპზად-ხოსრო (ქტესიფონის მმართველი) 631/32
ოეზდიგერდ III 632/51

ერიის, ლაზიკის, ჩრდ. მესოპოტამიისა , არაბეთის ნ.-კ-ის ხელში ჩასაგდებად. უთავებელი ქიშპი ჰქონდათ შუა აზიის ბთაბარე და ბინადარ ხალხებთან (ხიიტები, კიდარიტები, ეფტალიტები). 4 ეფტალიტებთან ბრძოლაში დაილუპა როზი. ს-მა დაკარგეს უზარმაზარი ტეტ. მარვის აღმ-ით. შუაზიელი და იერკაეკ. ხალხები თავგამოდებით იბრძდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ: 451 ბეთში იფეთქა დიდმა აჯანყებამ, 481— ვახტანგ გორგასლის მეთაურობით ს-ის ნააღმდეგ ერთობლივად იბრძოდნენ რთველები, სომხები და ალბანელები, 1 სომხეთში კვლავ დიდი აჯანყება მოხ. ხანგრძლივმა ომებმა, რ-ებმაც გაალახეს სახელმწიფოს რესურსები, გადასდების მკვეთრმა ზრდამ, სოც. უთანასრობის გაძლიერებამ დაასუსტა ს-ის ირა, რითაც ისარგებლეს არაბებმა და ბო მოულეს მას.

წყარო: არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა გნო. ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და შსკონი დაურთო თ. ჩხეიძემ, თბ., 1975. ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., სასანური ნის სახელმწიფო, კრ.: ნარკვევები მახლოი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; тория Ирана, М., 1977; История Ирана ревнейших времен до конца XVIII века, , 1958; Л у к о н и н В. Г., Иран в III te, M., 1979; C h r i s t e n s e n A., Iran sous les Sassanides, 2 ed., Cph., 44; N ö l d e k e Th., Geschichte der rser und Araber zur Zeit der Sasaniden, yden, 1879.

დ. კაციტაძე.

სანური დრაქმა, სასანიანთა ირანში ჭრილი ვერცხლის მონეტა. საქართველოში გავრცელებული იყო VI—VII სს-ში. ლის სასანური სისტემა დამყარებული ი ძვ. ბერძნ. დრაქმაზე, რ-ის მასა იმ ბოს 4 გ-მდე დაწესდა. სასანიანები ჭრიენ დრაქმებს, ნახევარდრაქმებს, განსთრებულ შემთხვევაში — წვრილ ნომიებსაც. მცირე რაოდენობით სპილენს, იშვიათად — ოქროსას (ძირითადად აჩუქროდ).

ს. დ-ის შუბლზე მოთავსებულია მეფის რდზეითა გამოსახულება, რ-საც თავფრთებიანი გვირგვინი აქვს; სახის ჯვნივ და მარცხნივ მეფის სახელი და ილმოსურნე ფორმულაა ფალაურად; ლაფერი მოქცეულია რკალში, რ-ის გათ 3 ნახევარმთვარეა შიგ ჩასმული ვარსვლებითურთ. ზურგზე — ცენტრში გაბულია საკურთხეველი და ზედ ანთეი წმინდა ცეცხლი (მაზდეანობის სიმლო), რ-საც მახვილზე დაყრდნობილი ელები დარაჯობენ; მათგან მარცხნივ ემულია მეფის მმართველობის წელი, ც მოიჭრა მონეტა. მარჯვნივ — ზარაის აღმნიშვნელი ფალაური მონოგრაგარეთა არეზე—4 ნახევარმთვარე ვარსვლებითურთ.

VI—VII სს-ში ქართლის ერისმთავრებს. დ-ის ტიპის საკუთარი მონეტა მოჭ.

ი. ჯალაღანია.

საპყრო, „სისხლის" ნაწილი, რ-იც ეოდა მოკლული კაცის ქვრივს თავის ჩენად ძველ საქართველოში. იგი ძმისლელობისას (თუ „ძმანი... გაყოფით ნენ") დააკანონა გიორგი ბრწყინვალის ართალმა (მ. 18). ს-ს ქვრივს გაუთრობის პირობით აძლევდნენ. მის ოდეას „ძალისა მსგავსად" განსაზღვრავდარბაზი ან *ერისთავი* და *განმგეი.* ს. გვაროვნ. საზ-ბის ანალოგიური აწესიდან წარმოდგა (ეთნოგრ. მასთ დასტურდება გადანაშთური ჩვეუბა, რ-ის მიხედვითაც მკვლელისათვის ძლებოდა „დაკუთვნებინათ" მოკლუ ქვრივ-ობლის რჩენა-შენახვა).

ლიტ.: დ ო ლ ი ძ ე ი., გიორგი ბრწყინის სამართალი, თბ., 1957; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ი., ქართული ვალდებულებითი სთლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976, 186.

ი. ფუტკარაძე.

სარგებლო წიაღისეული, დედამიწის ქერქში არსებული არაორგანული და ორგანული მინერალური წარმონაქმნები, რ-ებსაც იყენებენ სახალხო მეურნეობაში. გამოყენების მიხედვით გამოიყოფა: ლ ი თ ო ნ უ რ ი (მ ა დ ნ ე უ ლ ი) ს. წ.— შავი, ფერადი, მსუბუქი, იშვიათი, რადიოაქტიური ლითონებისა და იშვიათ მიწათა ელემენტების მადნები, აგრეთვე ლითონური თვითნაბადი ელემენტები; ა რ ა ლ ი თ ო ნ უ რ ი (ა რ ა მ ა დ ნ ე უ ლ ი) ს. წ. — სამთოქიმიური ნედლეული (სხვადასხვა მარილი, თაბაშირი, ბარიტი, გოგირდი, ფოსფორიტები, აპატიტი და სხვ.), ბუნებრივი აბრაზიული, ელექტროსაიზოლაციო, თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო, ცეცხლგამძლე, ტუტეგამძლე, მჟავაგამძლე და საშენი მასალები, ძვირფასი, სანახელავო და ტექ. ქვები, პიეზოოპტ. ნედლეული და სხვ.; ს ა წ ყ ა ვ ი ს. წ. — ნავთობი, ბუნებრივი საწყავი აირები, წიაღისეული ნახშირი, ტორფი, საწყავი ფიქლები; ჰ ი დ რ ო მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი ს. წ. — მინერალური წყლები, სასმელი მიწისქვეშა წყლები. ს. წ-ს მოიპოვებენ სხვადასხვა გენეტიკური ტიპის *სასარგებლო წიაღისეულის* საბადოდან.

ლიტ.: Смирнов В. И., Геология полезных ископаемых, 4 изд., М., 1982.

წ. ოთხმეზური.

სასარგებლო წიაღისეულის საბადო, დედამიწის ქერქში არსებული *სასარგებლო წიაღისეულის* დანაგროვი, რ-იც სიდიდის, ხარისხისა და განლაგების პირობების მიხედვით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახალხო მეურნეობაში. სასარგებლო წიაღისეულის იმ მინ. რაოდენობას და მის იმ უდაბლეს ხარისხს, რ-ის ზევით შესაძლებელი ხდება ს. წ. ს-ს ექსპლუატაცია, სამრეწვ. კონდიცია ეწოდება. ს. წ. ს. შესაძლებელია დედამიწის ზედაპირზე გამოდიოდეს (ღია საბადო) ან დამარხული იყოს მის წიაღში (დახურული ანუ „ბრმა" საბადო). წარმოქმნის პირობების მიხედვით განარჩევენ ენდოგენურ, ეგზოგენურ და მეტამორფოგენურ ს. წ. ს-ებს. ე ნ დ ო გ ე ნ უ რ ი ს ა ბ ა დ ო ე ბ ი ჩამოყალიბდა დედამიწის ქერქში ნივთიერების დიფერენციაციისა და ლოკალიზაციის შედეგად, რაც განპირობებულია დედამიწის შიგა ენერგიით. ამ ტიპში გამოიყოფა საბადოთა შემდეგი ჯგუფები: *მაგმური საბადოები, პეგმატიტური საბადოები, კარბონატიტები, სკარნები, პნევმატოლიშური საბადოები* და *ჰიდროთერმული საბადოები;* ე გ ზ ო გ ე ნ უ რ ი ს ა ბ ა დ ო ე ბ ი ჩამოყალიბდა დედამიწის ზედაპირზე ან ზედაპირთან ახლოს მინერ. ნივთიერებათა ქიმ., ბიოქიმ. და მექან. დაგროვების შედეგად, რაც განპირობებულია დედამიწის გარეგანი ენერგიით. საბადოთა ამ ტიპში გამოიყოფა: *გამოფიტვის საბადოები* და *დანალექი საბადოები.* მ ე ტ ა მ ო რ ფ ო გ ე ნ უ რ ი ს ა ბ ა დ ო ე ბ ი ჩამოყალიბდა ქანების და მადნების რეგიონული ან ლოკალური მეტამორფიზმის შედეგად. ს. წ. ს-თა ამგები ნივთიერების წყაროს მიხედვით გამოყოფენ დედამიწის ქერქქვეშა და ქერქის ნივთიერების შემცველ საბადოებს; ჩამოყალიბების სიღრმის მიხედვით — ულტრააბისალურ (10—15 *კმ*-ზე მეტი), აბისალურ (3—5-იდან 10—15 *კმ*-მდე), ჰიპაბისალურ (1—1,5-იდან 3—5 *კმ*-მდე), დედამიწის ზედაპირთან ახლომდებარე (1—1,5 *კმ*) საბადოებს. საბადოებს განარჩევენ აგრეთვე გეოლ. ასაკის და ჩამოყალიბების ადგილის (გეოსინკლინი, ბაქანი, აქტივიზებული ზონა) მიხედვით.

წ. ოთხმეზური.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დასინჯვა, *სასარგებლო წიაღისეულის* სხეულის სხვადასხვა წერტილიდან სინჯების აღება და გამოკვლევა მათი შედგენილობისა და ხარისხის განსაზღვრის მიზნით. ს. წ. ს. დ. აუცილებელია *სასარგებლო წიაღისეულის საბადოს* სამრეწვ. შეფასების, მარაგის გამოთვლის, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის ამოღების ხერხისა, გამდიდრებისა და გადამუშავების სქემების შესარჩევად.

სასარი (Sassari), ქალაქი იტალიაში, კ. სარდინიის ჩრდ.-დას. ნაწილში. სასარის პროვ. ადმ. ცენტრი. 120 ათ. მცხ. (1980). სარკინიგზო კვანძი. სოფ. შეურნ. პროდუქციის გადამუშავება. ხის დამუშავება. ს-ს რ-ნში იღებენ რკინის მადანს.

სასაფთხელე რგოლი, იხ. *სამკაული.*

სასაფლაო, მიცვალებულთა დასამარხად სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია. ს-ს ტიპს განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხში, სარწმუნოებაში, სოც. ჯგუფში მიღებული დაკრძალვის წესები. პირველყოფილი თემური წყობილებისა და ადრინდ. ფეოდ. საზ-ბის სამარხთა ჯგუფებს სამაროვანი ჰქვია, ანტ. სამყაროს, ძვ. აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ს-ებს ჩვეულებრივ უწოდებენ *ნეკროპოლისს.* გამოჩენილ ადამიანთა დასაკრძალავ ადგილს *პანთეონს* უწოდებენ. ზოგჯერ საფლავის ქვებსა და სტელებს მხატვრული ღირებულება, ხოლო წარწერებს (ეპიტაფიები) ისტ. მნიშვნელობა აქვს. ს-ები ეკლესია-მონასტრების გვერდითაც არის მოწყობილი. XVIII—XIX სს-ში რუსეთში შეიქმნა სამხ., საზღვაო, სატუსაღოების, ინფექციური და სხვ. ს-ები.

მიწაში დამარხვა დაკრძალვის ძველი და ყველაზე გავრცელებული წესია. ნიადაგში ორგ. ნივთიერებები სრულ მინერალიზაციამდე იხრწნება, გვამის გახრწნის ნორმალური პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის შედგენილობას (უმჯობესია ქვიშიან-ფორებიანი ნიადაგი). ცხელი ჰავის პირობებში, ზედმიწევნით მშრალ ნიადაგში გვამი მუმიფიკაციას განიცდის, ე. ი. ისე გამოშრება, რომ მისი გახრწნა შეუძლებელი ხდება. ტენიან ნიადაგში, იქ, სადაც გრუნტის წყლების დონე მაღალია, შეიძლება განვითარდეს რთული ქიმ. პროცესი, რაც ასევე შეუძლებელს ხდის გვამის მინერალიზაციას.

ს-ებს აწყობენ თანამედროვე სანიტ.-ტექ. მოთხოვნების გათვალისწინებით. სსრკ-ში მოქმედი ძირითადი წესების მიხედვით, ს. დასახლ. ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 300 *მ*-ისა. ყოველ 1,0 ათ. მცხოვრებზე ს-თვის გამოყოფილი ნაკვეთი არ უნდა იყოს 1,2 *ჰა*-ზე ნაკლები. მწვანე ნარგავებს უნდა ეკავოს ს-ს ტერიტ. 20%. სანიტ. პირობების დაცვა უზრუნველყოფს გვამის მინერალიზაციას და გამორიცხავს ს-ს ეპიდემიის ან ინფექციური დაავადებების კერად გადაქცევის შესაძლებლობას. დახურვიდან 20 წლის შემდეგ სახელმწ. სანიტ. ინსპექციის ორგანოების საგანგებო ნებართვით ს-ს გამოყენება შეიძლება მწვანე ნარგავების ან სხვა მიზნისათვის.

სსრკ-ში ცნობილია შემდეგი ს-ები: მოსკოვში — ნოვოდევიჩის, დონის მონასტრის, ვაგანკოვოს და სხვ.; ლენინგრადში — ალექსანდრე ნეველის ლავრის (ახლანდ. ქალაქის ქანდაკების მუზეუმი), სმოლიანსკის და სხვ.; კიევში—ბაიკოვის; რიგაში — ძმათა და რაინისის; თბილისში — მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონები; ლვოვში — ლიჩაკოვსკის; ვილნიუსში — სამხედრო; ტალინში — მეტსაკალმისტუს. უცხოეთში: ლონდონში — პაიგეიტის (დაკრძალულია კ. მარქსი); პარიზში — პერ-ლაშეზის, ვაშინგტონში — არლინგტონის, პიზასა და გენუაში — კამპოსანტოს და სხვ. იხ. აგრეთვე სტატიები *დაკრძალვა, მემორიალური ნაგებობანი, სამარხი.*

სასაფრასი (Sassafras), ფოთოლმცვივანი ხეებისა და ბუჩქების გვარი დაფნისებრთა ოჯახისა. მთლიანი და 2—7-ნაკვთიანი ფოთლები აქვს. წვრილი, ომიწვანო-მოყვითალო ყვავილები შეკრებილია ნახევარქოლგა ყვავილედებად. ნაყოფი კურკიანაა, გვარში 3 სახეობაა. გავრცელებულია ჩრდ.



სასაფრასი. სამკერნალო სასაფრასი (Sassafras officinale): ა—ნაყოფებიანი ტოტი; ბ—ყვავილებიანი ტოტი; გ—მტვრიანებიანი ყვავილი; დ—ნაყოფი; ე—ბუტკოიანი ყვავილი.

ამერ. ატლანტისპირა შტატებში, ჩინ. კონტინენტურ რ-ნებში და კ. ტაივანზე. სამკურნ. ს. ანუ *ანისულის ხე* ინტროდუცირებულია სოხუმში.

სასაჯმო, სადავო, სასამართლო საქმე ძველ საქართველოში. სამართ. წიგნთაგან ტერმ. „ს.“ მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის სამართალში იხმარება (შესავალი, მ. 26). იგი ზოგადი შინაარსისა იყო, აღნიშნავდა როგორც საერო, ისე საეკლ. იურისდიქციის სრულიად სხვადასხვანაირ საქმეებს, სასისხლო და სამოქალაქო ხასიათის ყოველგვარ სამართალდარღვევებსა თუ მათს გამო წამოჭრილ დავებს („რა რიგად ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი, სისხლი დგეს ანუ სხუა სასაქმო რა გინდა რა იყოს“).

ლიტ.: დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

ი. ფუტკარაძე.

სასაქონლო კაპიტალი, სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის ფუნქციური ფორმა და მისი მესამე სტადია. მოქმედებს მიმოქცევის სფეროში და ემსახურება ღირებულების ფორმების ცვლას. ღირებულება გამოისახება *c+v+m*-ით, სადაც *c* არის *მუდმივი კაპიტალი*, *v*—ცვალებადი კაპიტალი, *m*—ზედმეტი ღირებულება. შრომის საზ. დანაწილების გაღრმაებება იწვევს ს. კ-ის რეალიზაციის ფუნქციის გამოცალკევებას *სავაჭრო კაპიტალის* ფორმით (იხ. აგრეთვე *კაპიტალის წრებრუნვა* და *ბრუნვა*, *ეკონომიკური კრიზისი*).

სასაქონლო მარაგი, სარეალიზაციოდ გათვალისწინებული პროდუქცია მიმოქცევის სფეროში (წარმოებითი საწარმოს, სავაჭრო და გამსაღებელი ორგანიზაციების, საცალო ვაჭრობის ქსელის საწყობებსა და ბაზაში). ს. მ. წარმოებითი პროცესის უწყვეტობის აუცილებელი პირობაა. მისი წარმოქმნის სოც.-ეკონ. ბუნებას განსაზღვრავს გაბატონებული *წარმოების წესის* ეკონ. კანონების სისტემა.

სოციალიზმის დროს სახ. მეურნ. გეგმაზომიერი ორგანიზაცია აჩქარებს საქონლის რეალიზაციას და ხელს უწყობს ს. მ-ის ნორმალურ დონეზე შენარჩუნებას. ს. მ. ჯგუფდება ადგილმდებარეობის (საცალო, საბითუმო ვაჭრობა, მრეწვ. და სხვ.), დანიშნულებისა და საქონლის შედგენილობის მიხედვით. განასხვავებენ მიმდინარე შენახვის, ვადამდე შეტანისა და მიზნობრივი დანიშნულების ს. მ-ს. ს. მ-ის დონე გავლენას ახდენს *მიმოქცევის ხარჯების* სიდიდეზე. მისი გამოყენების ეფექტურობა განისაზღვრება მისი შეფარდებით *საქონელბრუნვის* მოცულობასთან.

სასაქონლო მეურნეობა, იხ. *სასაქონლო წარმოება*.

სასაქონლო ნიშანი, საქონელზე, მის საფუთარზე ან მიმაგრებულ ეტიკეტზე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს მიერ დასმული ნიშანი, რ-იც გამოყოფს მას სხვა ერთგვაროვანი ნაკეთობებისაგან და ამით საქონლისა და მისი მწარმოებლის (გამყიდველის) ინდივიდუალიზაციას ახდენს. ს. ნ. გამოიხატება სიტყვით, გრაფიკულად, ციფრების ან ცალკეული ასოების შეერთებით, ორიგინ. შეფუთვის საშუალებით და ა. შ. ს. ნ-ის დანიშნულებაა საქონლის რეკლამირება და მის ხარისხზე მწარმოებლის პასუხისმგებლობის გაზრდა. ს. ნ-ს იყენებენ როგორც შინა, ისე საერთაშ. ვაჭრობაში. სსრკ-ში ს. ნ-ის უფლების მოპოვების, გამოყენებისა და დაცვის წესი განსაზღვრულია სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში და სსრკ-ის მიერ რატიფიცირებულ საერთაშ. კონვენციებში. ს. ნ-ის უკანონოდ გამოყენება ისჯება სისხლის სამართ. წესით (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 166). *თ. ცაგურია.*

სასაქონლო პროდუქცია სსრკ კავშირში, ფულად ფორმაში გამოხატული იმ მზა პროდუქციის მოცულობა, რ-იც წარმოებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და გამზადებულია სარეალიზაციოდ. სამრეწვ. საწარმოს ს-ში შედის სარეალიზაციოდ განკუთვნილი მზა ნაწარმის ღირებულება, აგრეთვე თავისი წარმოების იმ ნახევარფაბრიკატების ღირებულება, რ-ებიც გათვალისწინებულია გასაყიდად და სამრეწვ. ხასიათის სამუშაოსი, რ-იც სრულდება გარე ორგანიზაციების დაკვეთით და საკუთარი არასამრეწვ. საჭიროებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს მსუბუქი, კვებისა და ხე-ტყის მრეწვ. ის დარგები, რ-თა ს. პ-ის მოცულობაში შედის შედასაქარხნო ბრუნვაც იმ პირობით, თუ იგი საამქროდან საამქროში გადადის *საბითუმო ფასით*. სამრეწველო საწარმოს *მთლიანი პროდუქციისაგან* განსხვავებით, ს. პ-ში არ შედის საწარმოს შიგნით გადასამუშავებლად გათვალისწინებული საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების ნაშთის მატება ან კლება, დაუსრულებელი წარმოების ნაშთი. ს. პ. აღემატება რეალიზებულ პროდუქციას, პროდუქციის იმ ნაწილის ღირებულებით, რ-იც არის საწარმოს საწყობში ან გაეგზავნა მომხმარებელს, მაგრამ ამ პროდუქციაზე ფული ჩარიცხული არ არის საწარმოს ანგარიშზე. ს. პ. იმ შემთხვევაშია რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე ნაკლები, თუ საანგარიშო პერიოდში რეალიზებული იყო ადრე წარმოებული პროდუქცია.

სოფლის მეურნეობაში ს. პ. მოიცავს იმ სას.-სამ. პროდუქტებს, რ-ებიც მიეყიდება სახელმწიფოს, კოოპერაციას, საბჭ. მეურნეობასა და დამხმარე მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, აგრეთვე მოსახლეობას საკოლმეურნეო ბაზრებზე. სოფ. მეურნეობაში ს. პ-ის განმსაზღვრელი ნაწილია სას.-სამ. პროდუქციის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ.

სასაქონლო რეზერვი, იხ. *სასაქონლო მარაგი*.

სასაქონლო რესურსები სოციალისტურ ქვეყნებში, მოხმარების საგნები, რ-ებიც გათვალისწინებულია საშინაო ბაზარზე სარეალიზაციოდ ან საექსპორტოდ. ს. რ. განსაზღვრავს საქონლის მიწოდების მოცულობას. ს. რ. არ მოიცავს მოხმარების საგნების მთელ პროდუქციას, რადგან მისი ნაწილი მწარმოებლებს რჩება შიდასამეურნეო საჭიროებისა და ნატურ. მოხმარებისათვის. მაგრამ იგი შეიძლება აჭარბებდეს წარმოებული პროდუქციის მოცულობას გარდამავალი მარაგისა და საქონლის იმპორტის ხარჯზე.

ს. რ-ის ძირითად ნაწილს სახელმწიფო გეგმავს. იგი შეადგენს *სასაქონლო ფონდს*. სახელმწ. გეგმაში განსაზღვრულია ს. რ-ის სიდიდე (ნატურალური და ღირებულებითი შაჩვენებლები), მისი წარმოქმნის წყარო და გამოყენება დანიშნულების მიხედვით.

სასაქონლო ფეტიშიზმი, იხ. *საქონელი*.

სასაქონლო ფონდები, სოციალისტური ეკონომიკის *სასაქონლო რესურსების* ნაწილი, რ-იც მიმოქცევაშია ცენტრალიზებული, გეგმური წესით, ორგანიზებული ბაზრის მეშვეობით. ს. ფ. საცალო საქონელბრუნვის მატერ. საფუძველია. ეს ფონდები იქმნება სახელმწ. რესურსებისა და ადგილ. წყაროების ხარჯზე. ს. ფ-ის ასორტიმენტი განისაზღვრება დაკვეთების, სავაჭრო ორგანიზაციებისა და სხვა მომხმარებელთა განაცხადების საფუძველზე. სახ. მოხმარების საგნების წარმოების გაფართოება იწვევს ს. ფ-ისა და მათი ძირითადი ნაწილის — საბაზრო ფონდის — განუწყვეტლივ ზრდას.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა ადამიანებს შორის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესში. ს.-ფ. უ. შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როცა არ არის სასაქონლო წარმოება, ე. ი. როცა გაცვლა, გაყიდვა პროდუქტთა წარმოების მიზნით არ ხდება. მაგ., ასე იყო პირველყოფილი თემური საზ-ების დაშ საფეტურზე.

სასაქონლო წარმოების ზრდა, გაცვ რეგულარული ხასიათი განაპირობებს ქონლის უშუალო გაცვლიდან (ს—ს) სა ნელმიმოქცევაზე გადასვლას ფულის ზ ვეობით (ს—ფ—ს). *ფულის* წარმოშო სასაქონლო წარმოების ეკონომიკურ ნონებს თავისუფალი მოქმედების პი ბები შეუქმნა, რამდენადაც წარმოების ზანი გახდა „ოქროს კერპი“ — რაც შ ლება მეტი ღირებულების (ადამია განივთებული შრომის) დაგროვება ლის სახით. ამიტომ ფული თავის თა შეიცავს სწრაფვას — გადაიქცეს კა ტალად. მაგრამ ათეული საუკუნე მანძილზე, *საწარმოო ძალების* განვი რების დაბალი დონის გამო, კვლავ *ტურალური მეურნეობა* ბატონობდა, ხო ს.-შ. უ-ის ფარგლები ვიწრო იყო. *ქონლო წარმოება* მეურნ. სისტემად მხოლოდ კაპიტალიზმის დროს. ამ დ ს.-შ. უ. საზ.-ეკონ. ურთიერთობის ს ველთაო ფორმა ხდება.

სოციალ. საზ-ბაში ს.-შ. უ. მოი ეკონ. კავშირების მრავალ მხარეს, დროს საზ-ბის ეკონ. საფუძვლების დაქმნა და შემდგომი განვითარება ძი ულად ცვლის მის შინაარსს (იხ. აგრ *საქონელი*). *მ. გველესი*

სასაქონლო წარმოება, საზოგადო რივი წარმოების ისეთი ფორმა, რ-ის დ საც პროდუქტებს საკუთარი მოხმარებ თვის კი არა, გასაცვლელად, გასაყი აწარმოებენ. ს. წ-ს წარმოშობს შრო საზ. დანაწილების ნიადაგზე აღმოც ბულ მწარმოებელთა ეკონ. განცალკ ბა. ს. წ. „საზოგადოებრივი წარმო ისეთი ორგანიზაციაა, როდესაც პრო ტებს აწარმოებს ცალკეული, განკერ ბული მწარმოებელი, ამასთან თითოე სპეციალდება ერთი რომელიმე პროდუ გამომუშავებაზე. ისე, რომ საზოგადოე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებ საჭიროა ყიდვა-გაყიდვა პროდუქტე (რომლებიც ამის გამო საქონლად ვიან) ბაზარზე“ (ლენინი ვ. ი., გამოც. მე-4, ტ. 1, გვ. 96—97).

კაპიტალიზმამდელ საზ.-ეკონ. ფო ციებში მეურნეობა ნატურალური, კა კეტილი იყო, ს. წ-ის მასშტაბები და ლი კი — მეტად მცირე. ვაჭრობის გა თარება იწვევდა ყიდვა-გაყიდვაში მო მფლობელური და ფეოდ. მეურნ. პრო ტების უფრო და უფრო მეტ ჩართვას შინაგანად ღრღნიდა მეურნ. ამ ფორ მაგრამ ვერ ცვლიდა მათ ნატურალურ სიათს.

კაპიტალ. ურთიერთობა ემყარება *მუშაო ძალის* ყიდვა-გაყიდვას, მის ა ღაურებას ღირებულებითი, ფულ ფორმით. სამუშაო ძალის გაყიდვის ცვლილ მიღებული ღირებულებით მ კაპიტალ. წარმოების პროდუქტები შეიძინოს, ე. ი. კაპიტალ. მეურნეობას ცილებლად საქონელი უნდა აწარმოო

სოციალიზმის დროს შენა ნებულია ს. წ., მაგრამ იგი ძირეუ განსხვავდება კაპიტალ. ს. წ-გან; დუქტებს აწარმოებენ არა ეკონომიკუ გახცალკევებული მწარმოებლები, არ სოციალ. საკუთრების საფუძველზე გ თიანებული მწარმოებლები. თავისი არსით საქონელს აღარ წარმოადგენს მუშაო ძალა, აღარ იყიდება ბ მისი წიაღისეული, ფ-კა- ქ-ნები და ხოლო ღირებულების კან აღარ არის წარმოების სტიქიური რ ლატორი. მის ადგილს იკავებს *საბა მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპო ული განვითარების კანონი*. მაგრამ ს. წ-ის ელემენტები, რჩება ცალკ მუშაკებისა და შრომითი კოლექტივ ორიენტაცია მეტი ღირებულების წარ ბაზე. ასეთ ეკონ. ინტერესებს საზ-ბა ნებს, როგორც ბერკეტებს თავისი მ

ბის განსახორციელებლად, რითაც *ლირგბულების კანონის* მოქმედებას გარკვეულ კალაპოტში აყენებს. ს. Ф-ის ელემენტები სოციალიზმის დროს თანდათანობით ამოწურავენ თავიანთ თავს იმის მიუხედავად, უფრო მეტად ვიყენებთ თუ უფრო ნაკლებად *სასაქონლო-ფულად ურთიერთობას* სოციალიზმის განვითარების ცალკეულ საფეხურზე (იხ. აგრეთვე სტ. *საქონელი*).

მ. გველესიანი.

სასაჭი, სოფელი ლენტეხის რ-ნში (ჟახუნდრის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1240 *მ*, ლენტეხიდან 29 *კმ*. ჟახუნდრის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა, მინერ. წყალი „სგიმრაშული".

სასახლე, მონუმენტური, საზეიმო დანიშნულების შენობა. თავდაპირველად მხოლოდ ხელისუფლის, შემდეგ კი საზ-ბის მაღალი ფენის წარმომადგენლობის რეზიდენციაც იყო. XIII—XV სს-ში ს-ს უწოდებდნენ სახელმწ. ხელისუფლების ორგანოთა მნიშვნელოვან შენობებს, XIX ს-იდან — სხვადასხვა საზ. დანიშნულების განსაკუთრებით მნიშვნელოვან შენობებს. ს-ების მშენებლობაში მონაწილეობდნენ ცნობილი ხუროთმოძღვრები, მხატვრები და სხვ. აღმოსავლეთის მონათმფლობელურ დესპოტიებში და აღმ. ხმელთაშუა ზღვისპირეთში ს-ების მშენებლობა ემსახურებოდა სახელმწ. იდეოლოგიის განმტკიცებას. ცნობილია ძვ. ეგვიპტის (რამსეს III-ის ს. მადინეთ-ჰაბუში, ძვ. წ. XII ს.), კრეტა-მიკენის ეპოქის (კ. კრეტაზე კნოსოსის ს., ძვ. წ. XX—XV სს.) და სხვ. კომპოზიციურად რთული ს-ები. რომის ს-ების არქიტექტურამ დიდი გავლენა მოახდინა რომის ევრ., აზიურ და აფრ. პროვინციათა, აგრეთვე ბიზანტ. იმპერიაში შემავალ სახელმწიფოთა არქიტექტურაზე (დიოკლეტიანეს ს. სპლიტში, დაახლ. 300 და სხვ.). შუა საუკ. ევრ. ქალაქ-რესპუბლიკებში გაჩნდა ქალაქის თვითმმართველობის, სას. და თანამდებობის პირთათვის განკუთვნილი ს-ები (პალაცო პუბლიკო სიენაში, 1297—1310, დოჟების ს. ვენეციაში, XIV—XV სს. და სხვ.), რ-ებმაც, თავის მხრივ, გავლენა იქონიეს შემდგომი ხანის სამეფო და საიმპერატორო ს-ების არქიტ. შექმნაზე (*ესკორიალი, ლუვრი*). როგორც წესი, ს-ს დომინანტური ადგილი ეჭირა ირგვლივ განლაგებულ განაშენიანებაში (*ვერსალი*). XIX ს. შუა ხანებიდან შენდებოდა საზ. დანიშნულების უზარმაზარი ს-ები („ბროლის სასახლე" ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე, 1851, დაიწვა; სპორტის სასახლე რომში, 1960 და სხვ.).

საქართველოში ს-ების არქიტექტურა უძველესი დროიდან არის ცნობილი. მატიანეში ხშირია სამეფო და ფეოდ. ს-ების ხსენება, მაგრამ რეალურად თითო-ოროლაა გადარჩენილი და ისიც ნანგრევების სახით. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ თბილისის სამეფო რეზიდენცია XII ს-ში, ისანში, მეტეხის ტაძრის გვერდით, მტკვრის კლდოვან ნაპირზე მდებარეობდა და მისი დარბაზები მოხატული იყო ქვეყნის სამხედრო ისტორიის სცენებით. ძვ. ს-ებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია *გეგუთის სასახლე*. კახეთში შემონახულია ნეკრესის მონასტრისა და ჭერემის საეპისკოპოსო ს-ების, აგრეთვე ვაჩნაძიანისა და ვანათის ფეოდ. ს-ების ნანგრევები. საქართველოში, მისი ისტ.-სოციალური ვითარების გამო, თვით XIX ს-მდე ფეოდ. ს. ვერ გამოეთიშებოდა სიმაგრეს, ვერ უგულებელყოფდა სათავდაცვო საშუალებებს.

დღეს ტერმ. „ს". აღარ აღნიშნავს ნაგებობის ერთ გარკვეულ ტიპს. ს-ს ეკისრება რამდენიმე ფუნქცია, მაგ., სპორტის ს-ის გამოყენება შეიძლება, როგორც ჰოკეის სათამაშოდ, ისე საგამოფენო დარბაზად, აუდიტორიად. თანამედროვე არქიტექტურამ შექმნა ახ. ს-ები: ყრილობათა ს. მოსკოვის კრემლში, კულტ., პიონერთა და მოსწავლეთა ს-ები და სხვ.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. Успенский А. И., Императорские дворцы, т. 1—2, М., 1913.

სასახლის მოედანი ლენინგრადში, ქალაქის მთავარი მოედანი. საფუძველი ჩაეყარა ზამთრის სასახლის მშენებლობით (1754—62, არქიტ. ს. რასტრელი). XVIII ს. დასასრ. მოედნის სამხრ. ნაწილმა ი. ფელტენის პროექტით რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო რკალისებრი მოხაზულობა, რაც საბოლოოდ განამტკიცა მთავარი შტაბის შენობამ (*ამპირი*; 1819—29, არქიტ. როსი), რ-ის სატრიუმფო თაღმა და მოედნის ცენტრში აღმართულმა ალექსანდრეს სვეტმა ს. მ-ს საზეიმო ხასიათი მიანიჭა. მოედნის აღმ-ით გვარდიელთა კორპუსის შტაბის შენობა დგას (1837—43, არქიტ. ა. ბრიულოვი), დას. მხარე გახსნილია ყოფ. საადმირალოს მოედნისაკენ (ახლანდ. საადმირალოს გასასვლელი).

სასებო, ქალაქი იაპონიაში, კ. კიუსიუზე, ნაგასაკის პრეფექტურის ცენტრ. ნაწილში, ნავსადგური სასებოს უბეში. 251 ათ. მკხ. (1980). გემთსაშენი და გემთსარემონტო ქარხნები. ჩარხთსაშენი, ქიმ., მინა-კერამ., მრეწველობა. სამხ.-საზღვაო ბაზა. ს-ს რ-ნში კულტივირებულია მარგალიტი.

სასესხო კაპიტალი, ფულადი კაპიტალი, რ-საც სესხად აწოდებენ კაპიტალისტებს ან სახელმწიფოს გარკვეული საზღაურის (სარგებლის) მიღების მიზნით. კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფეხურზე ს. კ-ის ისტ. წინამორბედი იყო *სავაჭრო კაპიტალი*.

დროებით თავისუფალი ფულადი კაპიტალის წარმოშობა და მისი გარდაქმნა ს. კ-ად მიმდინარეობს კაპიტალის წრებრუნვის საფუძველზე. ს. კ-ის წყაროა აგრეთვე სხვადასხვა კლასისა და ფენის პირადი შემოსავალი ან დანაზოგი, უწინარეს ყოვლისა, ბურჟუაზიისა, განსაკუთრებით კი რანტიეთა პირადი შემოსავალი. II მსოფლიო ომის შემდეგ მშრომელთა დანაზოგიც გადაიქცა ს. კ-ის მნიშვნელოვან წყაროდ.

განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს წილი ს. კ-ის წყაროებში, რაც დაკავშირებულია *სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის* განვითარებასთან.

კაპიტალ. კლავწარმოების პროცესში ფულადი სახსრების გამოთავისუფლების პარალელურად წარმოიშობა და იზრდება მოთხოვნაც ამ ფულადი სახსრების გამოყენებაზე. შესაძლოა, მაგ., ზოგ კაპიტალისტს დაუგვიანდეს პროდუქციის გაყიდვა, დროულად ვერ მიიღოს აქედან ფული, მაგრამ მან მაინც უნდა შეიძინოს ნედლეული, მასალები, სამუშაო ძალა და სხვ., რომ წარმოება არ შეუწყდეს. ზოგჯერ აუცილებელი ხდება წარმოების (ვაჭრობის) ერთდროული ტექ. გადაიარაღება ან სწრაფი გაფართოება, რაც დიდძალ ფულად სახსრებს საჭიროებს. რაკი საშუალება აქვთ ისესხონ, კაპიტალისტები უქმად არ აჩერებენ გამოთავისუფლებულ ფულს, გასესხებენ მას, ამიტომ ხშირად ხდება, რომ ერთი და იგივე კაპიტალისტი კრედიტორიც არის და დებიტორიც. მრეწველი კაპიტალისტი სარგებელს იხდის იმ ზედმეტი ღირებულებიდან, რაც მას დაქირავებულმა შრომამ მოუტანა. ამიტომ სარგებლის წყაროა წარმოების სფეროში მუშათა ფასგადაუხდელი შრომა. ს. კ. კაპიტალის ყველაზე პარაზიტული ფორმაა— იგი უშუალოდ არ მონაწილეობს არც საქონლის შექმნაში და არც მის ყიდვა-გაყიდვაში. ს. კ-ის ფორმულაა ფ-ფ′ სადაც ფ′ = ფ+Δფ (ფულის ნაზრდი); ეს ქმნის მოჩვენებითობას, თითქოს ფულის მაგიური თვისებაა „გამოჩეკოს" ახ. ფული. კაპიტალის საკუთრება აქ ეთიშება კაპიტალს, როგორც ფუნქციას, მიღებული მოგება დაიშლება ორ ნაწილად — სარგებლად და მეწარმის შემოსავლად, სადაც მეწარმის შემოსავალი ისე ჩანს, თითქოს იგი მეწარმის საქმიანობის, მისი ინიციატივისა თუ რისკის შედეგი იყოს და არა მუშათა ფასგაღაუხდელი შრომისა.

მ. გველესიანი.

სასვენი ნიშნები, იხ. *პუნქტუაცია*.

სასვრეტელა, დრელი (გერმ. Drillbohrer), ლითონში, ხეში ან სხვა მასალაში ნახვრეტების გასაკეთებელი ხელის მანქანა. შეიძლება ჰქონდეს ელექტრული ან პნევმ. ამძრავი.

სასიგნალო ეგზემპლარი, ბეჭდვითი გამოცემის პირველი სავსებით მზა ეგზემპლარი, რ-იც სტამბიდან მიდის გამომცემ ორგანიზაციაში, სადაც ნებართვას აძლევენ სტამბას ტირაჟის დასამზადებლად.

სასიგნალო სისტემები, ნერვული პროცესების, დროებითი კავშირებისა და რეაქციების სისტემები, რ-ებიც ყალიბდება თავის ტვინში გარეგანი და შინაგანი ზემოქმედების შედეგად და უზრუნველყოფს ორგანიზმის ზუსტ შეგუებას გარემოსთან. ცნება *პირველი სასიგნალო სისტემა* და *მეორე სასიგნალო სისტემა* შემოიღო ი. *პავლოვმა*. ეს ცნებები მან განავითარა მოძღვრებაში უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

სასილოსე კულტურები, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რ-ებიც მოჰყავთ სილოსის დასამზადებლად. ს. კ-ს განეკუთვნება სიმინდი, სორგო, მზესუმზირა, შვრია, ცერცველა, ბარდა, გულისპირა და სხვ. სასილოსედ იყენებენ აგრეთვე მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების ნარევს: შვრია-ცერცველას, შვრია-ბარდას, შვრია-ცულისპირას და სხვ. ნორმალურ აგროტექ. პირობებში ს. კ-ს უხვად უვითარდებათ მწვანე მასა. მოსავლის აღება და დასილოსება მექანიზებული წესით ტარდება. მთავარი ს. კ. არის სიმინდი. საკვებად საუკეთესოა მისი საშ. და საგვიანო ჯიშები და პიბრიდები. სასილოსე მასას იღებენ სიმინდის დაბაზებისას (ცვილისებრ სიმწიფეში).

გ. ცაგურიშვილი.

სასილოსე ნაგებობები, სილოსის ჩასაყრელი და შესანახი ნაგებობები. მათი ძირითადი დანიშნულებაა სილოსის დაცვა ჰაერის, წყლის მოქმედებისა და გაყინვისაგან. ს. ნ. არის ტრანშეის, კოშკისა და ორმოს სახისა. ტრანშეის ს. წ-ს აწყობენ ამაღლებულ ადგილებზე, ბაქნებზე, რ-თაც აქვთ ზედაპირული წყლების ჩასადენი და სატრანსპ. საშუალებების მისასვლელი ქანობები. განასხვავებენ მიწისზედა, ნახევრად ჩაღრმავებულ და ჩაღრმავებულ ტრანშეებს. მიწისზედა ტრანშეებს (ნახ. 1) აგებენ ისეთ ადგილებში, სადაც რელიეფი სწორია და გრუნტის წყლების დონე მაღალია. ჩაღრმავებულ და ნახევრად ჩაღრმავებულ ტრანშეებს (ნახ. 2) აწყობენ თიხის და თიხნარ ნიადაგებში. ამგვარი ტრანშეების სიგანე ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს სატრანსპ., სატკეპნი ან განმტვირთავი მანქანების სიგრძეს. მიწისზედა ს. ნ-ის სიმაღლეა არა უმეტეს 6 *მ*-ისა, ჩაღრმავებულისა და ნახევრად ჩაღრმავებულისა—არანაკლებ 3 *მ*-ისა. ტრანშეების მინ. სიგრძეა — არანაკლები 2 სიგანისა, ტევადობა — 250÷3000 ტ სილოსი. მათი კედლებისა და ძროს ასაგებად იყენებენ ბეტონს, რკინაბეტონს, აგურს, ქვაყორეს, აგრეთვე ასაწყობ რკინაბეტონის ელემენტებს. მიწისზედა ტრანშეებში სილოსის ჩაწყობის დამთავრების შემდეგ მათ ტორსებს ფარავენ ხის ფარებით ან ნამჯის ბარდანებით. კედლებს გრუნტით ათბუნებენ. ნახევრად ჩაღრმავებული ტრანშეების მიწისზედა კედლების შემოსაზვინად იყენებენ სიმინდის დაბაზებისას (ცვილისებრ სიმწიფეში).


გ. ცაგურიშვილი.

სასილოსე ნაგებობები, სილოსის ჩასაყრელი და შესანახი ნაგებობები. მათი ძირითადი დანიშნულებაა სილოსის დაცვა ჰაერის, წყლის მოქმედებისა და გაყინვისაგან. ს. ნ. არის ტრანშეის, კოშკისა და ორმოს სახისა. ტრანშეის ს. წ-ს აწყობენ ამაღლებულ ადგილებზე, ბაქნებზე, რ-თაც აქვთ ზედაპირული წყლების ჩასადენი და სატრანსპ. საშუალებების მისასვლელი ქანობები. განასხვავებენ მიწისზედა, ნახევრად ჩაღრმავებულ და ჩაღრმავებულ ტრანშეებს. მიწისზედა ტრანშეებს (ნახ. 1) აგებენ ისეთ ადგილებში, სადაც რელიეფი სწორია და გრუნტის წყლების დონე მაღალია. ჩაღრმავებულ და ნახევრად ჩაღრმავებულ ტრანშეებს (ნახ. 2) აწყობენ თიხის და თიხნარ ნიადაგებში. ამგვარი ტრანშეების სიგანე ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს სატრანსპ., სატკეპნი ან განმტვირთავი მანქანების სიგრძეს. მიწისზედა ს. ნ-ის სიმაღლეა არა უმეტეს 6 *მ*-ისა, ჩაღრმავებულისა და ნახევრად ჩაღრმავებულისა—არანაკლებ 3 *მ*-ისა. ტრანშეების მინ. სიგრძეა — არანაკლები 2 სიგანისა, ტევადობა — 250÷3000 ტ სილოსი. მათი კედლებისა და ძროს ასაგებად იყენებენ ბეტონს, რკინაბეტონს, აგურს, ქვაყორეს, აგრეთვე ასაწყობ რკინაბეტონის ელემენტებს. მიწისზედა ტრანშეებში სილოსის ჩაწყობის დამთავრების შემდეგ მათ ტორსებს ფარავენ ხის ფარებით ან ნამჯის ბარდანებით. კედლებს გრუნტით ათბუნებენ. ნახევრად ჩაღრმავებული ტრანშეების მიწისზედა კედლების შემოსაზვინად იყენებენ სიმინდის დაბაზებისას (ცვილისებრ სიმწიფეში).


გ. ცაგურიშვილი.



სასახლე. ეპისკოპოსის სასახლე. IX ს. ნეკრეზი. საერთო ხედი.



სასილოსე ნაგებობები. ნახ. 1. მიწისზედა ტრანშეები: 1—რკინაბეტონის ბლოკებისაგან; 2—ქვაყორისაგან.



სასილოსე ნაგებობები. ნახ. 2. ნახევრად ჩაღრმავებული ტრანშეები: 1—აგურისაგან; 2—რკინაბეტონის ფილებისაგან.



სასიმინდე. სოფ. ქორეთი (საჩხერის რაიონი). ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. თბილისი

და საწყობებში იყოს აქტ. ვენტილაცია, რაც უზრუნველყოფს სიმინდის უდანაკარგოდ შენახვას. საწყობებისაგან განსხვავებით, ფარდულების გარე კედლები შედგება სვეტებზე მეჩხერად აკრული ძელაკებისაგან. სიმინდის მექანიზებული ჩატვირთვა ხდება დაბრილი გადამზიდების საშუალებით. საწყობები, ხორბლის საწყობების მსგავსად, აღჭურვილია გადასატანი ან სტაციონარული ცხაურებით, სადაც სავენტილაციო დანადგარების საშუალებით ხდება ჰაერის ინტენს. მიწოდება. ცხაურები მოწყობილია შენობის იატაკის დონეზე (სტაციონარული სქემა) ან იატაკს ზემოთ 15—20 *სმ*-ზე (გადასატანი სისტემა).

ზ. ჯანელიძე.


ს-ს იმერეთში, გურიასა და აჭარაში ნალიასაც უწოდებენ. იგი წნული, ფიცრული ან ძელური ნაგებობაა ისლის, ჩალის, ლამფის, ყავრის, კრამიტის ორფერდა ან სამფერდა სახურავით, აქვს საყუნწურებში წასმული პატარა კარი. ფასადის მხარეს ხშირად ვიწროსვეტებიან აივანსაც უკეთებენ. ს. შეიძლება იყოს ერთ, ორ ან სამთვალიანი. სამთვალიან ს-ში შუა თვალს სიმინდის საფშვნელად, გვერდითებს კი სახმობად იყენებენ. ორთვალიანი ს-ც სახმობი და საფშვნელი კამერებისაგან შედგება. ერთთვალიანში სიმინდს ინახავენ და ახმობენ. ს. ჩვეულებრივ ბოძებზე იმართება, რაც ჰაერის მოძრაობას უწყობს ხელს. ამავე მიზნით მის კედლებზე ჭრიან გამჭოლ სამკუთხა, სწორკუთხა ან აფურულ ორნამენტულ ღიობებს, რ-თაც „საჰაეროებს“ თუ „სასულე თვლებს“ (იმერეთი) უწოდებენ. ს-ის ბოძების თავზე გუნდრუკნაირად გაკეთებულ ქვის „ქუდების“ დადება იციან, რომ ს-ში თაგვი არ აცოცდეს. ს-ის ქვედა ნაწილს იყენებენ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისათვის, აქ ფშვნიან სიმინდს და პარკოსნებს, დგამენ საცეხველს და ა. შ.

აღმ. საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო ერთთვალიანი მოწნული ს., რ-საც ძარი, ზარი ან ჯინგოდორი ეწოდებოდა.

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1976; რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976. *ჯ. რუხაძე.*

სასიმღერო ლექსი, ამ ტერმინის ზუსტი განსაზღვრება ჯერჯერობით არ არის შემუშავებული. ზოგიერთი ლექსთმცოდნის აზრით, ს. ლ. სილაბურ-ტონური ლექსის დამოუკიდებელი სახეობაა და სამეტყველო ლექსისაგან ინტონაციურად განსხვავდება. სხვათა მტკიცებით, ამ ორი სახეობის გამოსაყოფად არ არსებობს საკმაო საფუძველი, რამდენადაც მათი დაპირისპირების დროს უფრო ლექსის დეკლამაციურ განმარტებაზეა ლაპარაკი; სხვადასხვაგვარი შესრულების მიხედვით ერთი და იგივე პოეტური ტექსტი შეიძლება სამეტყველო ლექსსაც მივაკუთვნოთ და სასიმღეროსაც.

რ. ბერიძე.



სასიცოცხლო ფორმა მცენარისა. ხეების სხვადასხვა სასიცოცხლო ფორმა: 1 ჩვეულებრივი ტიპის ხე; 2—სავანის ხე ბოთლისებრი ღეროთი; 3—სავანის ხე ქოლგისებრი ვარჯით; 4—როზეტისებრი ხე (პალმა); 5 — ღერო — სუკულენტური ხე.

სასიცოცხლო ფორმა მცენარისა. 1—ფანეროფიტები (ვერხვი, ფითრი); 2—ქამეფიტები (მოცვი); 3—ჰემი კრიპტოფიტები (ბაია, ბაბუაწვერა, მახრჩობელა); 4—გეოფიტები (ფრინტა, ტიტა); 5 — ტეროფიტების თესლი (ლობიო). კვირტები გადიდებულია, შეფერილია შავად და შეერთებულია პუნქტირით

სასინჯი ანალიზი, ლითონების (უმთავრესად კეთილშობილისა) რაოდენობრივი განსაზღვრა მადნებში, მეტალურგიული წარმოების სხვადასხვა პროდუქტში, ნარჩენებში, შენადნობებში, ნაკეთობებში და სხვ. (იხ. *სინჯი*). ს. ა-ის მეთოდები ზუსტია და იძლევა მაგ., მადანში ოქროს 0,1—0,05 *გ/ტ*-მდე განსაზღვრის საშუალებას. ს. ა-ს ატარებენ პირომეტალ. (იხ. *პირომეტალურგია*) და ქიმ. მეთოდებით. პირომეტალურგიული მეთოდებია ტიგელში დნობა და შერბერული დნობა, აგრეთვე *კუპელაცია*.

ს. ა-ის ქიმ. მეთოდებს იყენებენ კეთილშობილი ლითონების შემცველი თითქმის ყველა მასალისათვის. ზოგჯერ ს. ა-ის ქიმ. მეთოდებს პირომეტალ. მეთოდებთან ერთად იყენებენ. ს. ა-ის ქიმ. მეთოდებიდან უფრო გავრცელებულია საიუველირო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობის სინჯის დადგენის ექსპრეს-ხერხი—მისი მთლიანობის დარღვევის გარეშე სინჯის დადგენა *სასინჯ ქვაზე*. სასინჯი ქვის ზედაპირზე გამოსაცდელი ნაკეთობით დაახვით 10—12 *მმ* სიგრძისა და 2—3 *მმ* სიგანის ერთგვაროვანი ზოლი, ასეთივე ზოლი დააქვთ 0,5—1 *მმ*-ის დაშორებით წინასწარცნობილი სინჯის *სასინჯი ნემსით*. ზოლებს ასველებენ შესაბამისი სასინჯი რეაქტივით (ოქროს ნაკეთობისათვის იყენებენ ოქროს ქლორიდისა და მჟავური რეაქტივების ხსნარებს, ვერცხლის ნაკეთობებისათვის — ვერცხლის ნიტრატის ხსნარებს) და რამდენიმე *წმ*-ის განმავლობაში აკვირდებიან მის მოქმედებას. ნაკეთობით მიღებულ ზოლსა და ნემსით მიღებულ ზოლზე ლაქების შეფერილობის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით ადგენენ კეთილშობილი ლითონების ნაკეთობის სინჯს.

სასინჯი ნემსი, ეტალონური ფირფიტები, დამზადებული კეთილშობილი ლითონების განსაზღვრული შენადნობისაგან, რ-თა დანიშნულებაა *სასინჯ ქვაზე* სინჯის დადგენა. ს. ნ-ს იმ კეთილშობილი ლითონისაგან ამზადებენ, რ-ის სინჯიც უნდა დაადგინონ. სსრკ-ში გამოშვებული ს. ნ-ები შეიცავს კეთილშობილ ლითონებს (%-ში). ოქროსი—37,5; 50,0; 58,3; 75,0; 95,8; ვერცხლისა—75,0; 80,0; 87,5; 91,6; 92,5; 96,0; პლატინისა—95; პალადიუმისა — 50 და 85.

კბილის პროტეზებისათვის განკუთვნილი დისკოების სინჯის დასადგენი ს. ნ. შეიცავს 90,0% Au, 4,0% Ag და 6,0% Cu.

სასინჯი ქვა, სუსტად მეტამორფიზებული, წვრილმარცვლოვანი, ნახშიროვანი, შავი კაჟოვანი ფიქლის ფირფიტა, რ-ზეც გამოსაცდელი კეთილშობილი ლითონის შენადნობით გატარებული ხაზის ფერის შედარებით *სასინჯი ნემსით* გატარებული ხაზის ფერთან განსაზღვრავენ შენადნობის *სინჯს*. ს. ქ-ის სიმაგრე მინერალოგიური სკალით უნდა იყოს 4,7—6,5; უნდა შეიცავდეს 8—23% ნახშირბადს და მინარევებს (Al, Fe, Ca, Mn, S, Na, Cl და სხვ.) არაუმეტეს 2%-ისა. არ უნდა ჰქონდეს ბზარები და რეაქციაში არ უნდა შედიოდეს არაორგ. მჟავებთან. შემუშავებულია ხელოვნური ს. ქ-ის მიღების ტექნოლოგია. იხ. აგრეთვე სტ. *სასინჯი ანალიზი*.

სასირეთი, სოფელი კასპის რ-ნში (ყარაღაჯის სოფსაბჭო), მდ. თეძმის ხეობაში. ზ. დ. 610 *მ*, კასპიდან 18 *კმ*. ყარაღაჯის კოლ-ბა (მეხილეობა, მებოსტნეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, მედპუნქტი.

სასირეთი, სოფელი ქარელის რ-ნში (ბრეთის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე. ზ. დ. 710 *მ*, ქარელიდან 10 *კმ*. ბრეთის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ბრეთში (2 *კმ*). ბ-კა.

სასირეთის ბრძოლა 1047, *ბაგრატ IV*-სა და კლდეკარის ერისთავს *ლიპარიტ IV* ლიპარიტის ძეს შორის მიმდინარე ხანგრძლივი შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი ეპიზოდი. თბილ. ამირასთან ბაგრატ IV-ის დაზავების (1040) შემდეგ კლდეკარის ერისთავი საბოლოოდ გაუთრგულდა მეფეს. ლიპარიტმა დახმარებისათვის ბიზანტიას მიმართა. კეისარმა ერისთავს დამხმარე ლაშქარი, დიდძალი ფული და ტახტის მაძიებელი დემეტრე გიორგის ძე გამოუგზავნა. საქმე შეთანხმებით დამთავრდა. ბაგრატ IV-მ ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უწყალობა. ბერძენთა ჯარი და დემეტრე ბიზანტიაში დაბრუნდნენ. მაგრამ ეს მორიგება დროებითი აღმოჩნდა; ლიპარიტი ბიზანტ. აგენტად დარჩა და განაგრძობდა ბრძოლას მეფის წინააღმდეგ. ლიპარიტს კახელები მიემხრნენ, მან ბიზანტიიდან კვლავ ჩამოიყვანა დემეტრე გიორგის ძე, ბოლოს მაწყვერელიც მის მხარეს გადავიდა.

მეფე და ერისთავი ქართლში, სასირეთის ჭალაში (ახლანდ. კასპის რ-ნი) შეებრძოლნენ ერთმანეთს, ბაგრატ IV-მ ვერ გაუძლო ლიპარიტის შრავალრიცხოვანი ლაშქრის შეტევას და დამარცხდა. ლიპარიტმა არტანუჯის ციხე დაიპყრო; ბაგრატ IV იძულებული გახდა დას. საქართველოში გადასულიყო და მხოლოდ თურქ-სელჩუკების მიერ ლიპარიტის დატყვევების (1048) შემდეგ შეძლო ხელისუფლების განმტკიცება. ს. ბ. მეფესა და დიდგვაროვნებს შორის არსებული შინაკლასობრივი ბრძოლების მნიშვნელოვანი ეპიზოდია. მეტად საგულისხმოა „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა ამ ბრძოლაში ვარიაგების (ვარანგთა) მონაწილეობის შესახებ, რაც რუს.-საქართვ. ურთიერთობის ძვ. ფესვებზე მიუთითებს.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965. *რ. მეტრეველი.*

სასირეთის გაძი, ძვ. წ. XIII ს. — XII ს. I ნახ. ბრინჯაოს ნივთების შემცველი განძი, რ-იც აღმოჩენილია 1930 სოფ. ქვემო სასირეთში (კასპის რ-ნი). განძის შემადგენლობაში იყო: I სახეობის კოლხური ცული (დ. ქორიძის კლასიფიკაცია), ცენტრ.-ამიერკავკ. ტიპის ცული, სატეხი, სატევარი, ლაგამი, გედისა და ჯიხვის თავის სკულპტურული გამოსახულებები, 2 ნაჭიდისაგან შედგენილი ბალთა; სახურავიანი სამფეხა ჭურჭელი, რ-ის ცენტრ ში ფრინველის სკულპტურული გამოსახულებაა.

ნივთები დაცულია ს. ჯანაშიას სახ., საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1961, ტ. 22 B; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965. *ლ. ფანცხავა.*

სასირეთის ჭალა, მტკვრისპირა ჭალა სოფ. სასირეთის მახლობლად (კასპის რ-ნი), სადაც 1047 მოხდა დიდი ბრძოლა მეფე ბაგრატ IV-ისა და კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის ჯარებს შორის (იხ. სტ. *სასირეთის ბრძოლა 1047*).

სასიქოლი, ტბა ყაზ. სსრ-ში, ბალხაშის ტბის აღმ-ით. მდებარეობს ბალხაშ-ალაქოლის ქვაბულში, 347 *მ* სიმაღლეზე. ფართ. 736 *კმ*². საშ. სიღრმე 3,3 *მ*, მაქს. — 4,7 *მ*. აქვს ლერწმით დაფარული დაბალი ნაპირები. შერეული საზრდოობისაა. დონის რყევა 3 *მ*-მდეა. იყინება ნოემბერში, ყინულძვრაა აპრ. დასაწყისში. ს-ში ჩადის მდ. თენთექი და ყარაქოლი. ნაკადებით უკავშირდება ტბა უიალის. თევზჭერა. ონდატრის რეწვა.

სასიცოცხლო ნივთი, ეკოლოგიური ნიშნი, ადგილი, რ-იც უკავია *სახეობას*, უფრო ზუსტად, მის *პოპულაციას ბიოცენოზში*. სახეობის (პოპულაციის) ურთიერთობა თანასაზოგადოების დანარ-

ენ წევრებთან განსაზღვრავს მის ადგილს ივითიერებათა წრებრუნვაში. თითოეულ ახეობას, როგორც წესი, უკავია გარკვეული ს. ნ., რ-საც იგი ეგუებოდა ევოლ. ანვითარების მთელ მანძილზე. სახეობის მისი პოპულაციის) მიერ დაკავებულ ადილს სივრცეში (სივრცითი ს. ნ.) უფრო შირად *ადგილსამყოფელს* უწოდებენ.

ასიციოცხლო სარბიელი, ს ა ს ი ც ხ ლ ო ა რ ე, დედამიწის ნაწილი, ე-ზეც დასახლებულია ორგანიზმები. ამ ერმინს იშვიათად ხმარობენ, იგივეა, აც *ბიოსფერო*.

ასიციოცხლო ფორმა მ ც ე ნ ა რ ი ს, ი ო ლ ო გ ი უ რ ი ფ ო რ მ ა, ბ ი ო ლ ო რ ფ ი, მცენარის გარეგანი იერი ჰაბიტუსი), რ-იც ჩამოყალიბდა გარემოსთან მისი შეგუების ხანგრძლივ პროცესში. ერმინი შემოიღო დან. ბოტანიკოსმა ე. არმინგმა (1884). ს. შ-ს უწოდებენ მცენარეთა ეკოლ. კლასიფიკაციის ერთეულსაც. ს. შ. ძირითადად დამოკიდებულია ცენარეთა მიწისზედა და მიწისქვეშა ვეგეტატიური ორგანოების სტრუქტურაზე, ანვითარების რიტმსა და სიცოცხლის ანგრძლივობაზე. ევოლ. პროცესში ს. შ. ყალიბდება სხვადასხვა კლიმატურ, ნიადაგურ და ბიოცენოზურ პირობებში ბუნებრივი გადარჩევის გზით. ყოველი მცენარის (ხე, ბუჩქი, ბალახი, ლიანა, ბალიშა ცენარე და სხვ.) კონკრ. ს. შ. იცვლება ის *ონტოგენეზში*. ნაძვისა და მუხის ერთლიან ნათესებს ჯერ არა აქვთ მარადწვანე ან ფოთოლმცვივანი ხის ფორმა, რ-იც დამახასიათებელია ამავე ზრდასრული მცენარეებისათვის. ერთმა და იმავე ახეობამ სხვადასხვა გარემო პირობებში ჭიძლება სხვადასხვა ს. შ. მიიღოს, მაგ. ეურ მაღალტანიან ხეს მაღალმთიანეთში უჩის და გართხმული ხის ფორმა აქვს.

ს. შ-ის პირველი კლასიფიკაცია, რ-იც გებული იყო ფიზიონომიურ ნიშნებზე, კუთვნის გერმ. მეცნ. ა. ჰუმბოლდტს 1806). ამავე პრინციპზეა დამყარებული ვსტრ. ბოტანიკოსის ა. კერნერის (1863), ერმ. ბოტანიკოსების ა. გრიზებახისა 1872) და ო. დრუდეს (1913) კლასიფიკაციები. უკვე ამ შრომებში იყო აღნიშნული ცენარის გარეგნული იერის დამოკიდებულება კლიმატზე და მისი ბიოლ. თავისებურებების მნიშვნელობა. ყველა ამ კლასიფიკაციიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბან. ბოტანიკოსის კ. რაუნკიერის (1905, 907) კლასიფიკაცია, რ-იც აგებულია არაელსაყრელ პირობებში (ზამთარში, შრალ პერიოდში) ნიადაგის ზედაპირიან განახლების კვირტების მდებარეობასა და კვირტის დამცველი საფრის თავისებურებებზე. რაუნკიერმა გამოო ს. შ-ის 5 ტიპი: ფ ა ნ ე რ ო ფ ი ტ ე ბ ი — მცენარეები, რ-თა განახლების ვირტები ნიადაგიდან კარგად დაშორებუია (ხეები, ბუჩქები, ხისმაგვარი ლიანები, ეპიფიტები); ქ ა მ ე ფ ი ტ ე ბ ი — ბალი მცენარეები, რ-თა კვირტებიც მიის ზედაპირს 20—30 *სმ*-ზე სცილდება და შირად თოვლქვეშ იზამთრებს (ბუჩქები, ახევრად ბუჩქები, ზოგიერთი მრავალწლოანი ბალახი); ჰ ე მ ი კ რ ი პ ტ ო ფ ი ტ ე ბ ი — მრავალწლოვანი ბალახოვანი ცენარეები, რ-თა კვირტები ნიადაის ზედაპირზეა და დაცულია თოვლით და ჩამოცვენილი ფოთლებით; რ ი პ ტ ო ფ ი ტ ე ბ ი — მცენარეები, რ-თა კვირტები დამალულია მიწაში ფესურიანი, ტუბერიანი, ბოლქვიანი ეოფიტები) ან წყალში (ჰიდროფიტები); ხ ე რ ო ფ ი ტ ე ბ ი — ერთწლოვანები, რ-ებიც მათთვის არახელსაყრელ პირობებს თესლის სახით ეგუებიან.


ხშირად იყენებენ ბალახოვანი მცენარეების გ. ვისოცკისეულ (1915) კლასიფიკაციას, რ-საც ავსებენ ლ. კაზაკევიჩის 1922) კლასიფიკაციით. იგი დამყარებულია მცენარეთა მიწისქვეშა ორგანოების, სთი ვეგეტატიური გამრავლებისა და ფართობის დაკავების უნარის თავისებურებებზე: მთავარლერძიანები (ვეგეტატიური გამრავლება არ ახასიათებთ), კორდიანები, ბოლქვიანები, ბოლქვიან-ტუბერიანები (ვეგეტატიური გამრავლება სუსტად აქვთ გამოხატული), ფესვითნაყარიანები (ვეგეტატიური გამრავლება ინტენსიურია). ვ. ვილიამსი მარცვლოვანი მცენარეების ს. შ-ს ყოფდა ბარტყობის კვირტების მდებარეობის მიხედვით: გრძელფესურიანებად, მეჩხერბუჩქებად და მკვრივბუჩქებად. ს. შ-ის თანამედროვე კლასიფიკაციებში ყველაზე უფრო მიღებულია ი. სერებრიაკოვის (1962, 1964) კლასიფიკაცია, რ-შიც მსხვილი ერთეულები (განყოფილება, ტიპი) გამოყოფილია მიწისზედა ორგანოების სტრუქტურისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით (ღეროებიანი ხეები, რ-ებიც ცოცხლობენ ათეულ და ასეულ წლობით, ღეროებიანი ბუჩქები, რ-ებიც ცოცხლობენ 20—30 წელიწადს, ჩირგვები, რ-ებიც ცოცხლობენ 5—10 წელიწადს და ბალახები ერთწლიანი ორთოტროპული ყლორტებით). ყოველი ტიპი შემდეგ იყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

საქართვ. მაღალმთიანეთში ს. შ-ების შესწავლის საფუძველზე შედგა კლასიფიკაციის სქემები (გ. ნახუცრიშვილი, ზ გამცემლიძე), რ-თა მიხედვითაც, მაგ., ცენტრ. კავკასიონის სუბალპ. სარტყელში ყველაზე გაბატონებული ტიპია ბალახოვანი პოლიკარპული მცენარეები. შემდეგ ამ ტიპში მიწისქვეშა ორგანოების მიხედვით გამოყოფილია კლასები: მთავარლერძიანი, ფესურიანი, ფესურიან-მთავარლერძიანი, ფუნჯაფესვიანი, ბოლქვიანი, ტუბერფესვიანი. მათგან ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული ფესურიანი, შემდეგ კი— მთავარლერძიანი მცენარეები. მიწისქვეშა ორგანოების სიგრძის მიხედვით თითოეული კლასი იყოფა ჯგუფებად. სუბალპ. სარტყელში გაბატონებულ სახეობებს აქვთ გრძელი მთავარლერძიანი ფესვი, ფესურიან მცენარეებში კი ყველაზე დიდი რაოდენობითაა მოკლეფესურიანები. ალნიშნულ სარტყელში ბოლქვიანი და ტუბერფესვიანი მცენარეების რაოდენობა მცირეა. განსხვავებული სურათია ამავე რეგიონის სუბნივალურ სარტყელში, სადაც ძირითადად ჭარბობს მიწაზე გართხმული და ბალიშა მცენარეები, რ-თაც ძლიერ შებუსული და ნახევრად სუკულენტური ფოთლები აქვთ.

ს. შ-ის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის ადაპტაციისა და ამა თუ იმ სახეობის ევოლუციის დასადგენად.

ლიტ.: Нахуцришвили Г. Ш., Экология высокогорных растений и фитоценозов Центрального Кавказа, Тб., 1974; Серебряков И. Г., Жизненные формы высших растений и их изучение, წგნ.: Полевая геоботаника, [в.] 3, М.—Л., 1964; მისივე, Экологическая морфология растений, М., 1962; Шмитхюзен И., Общая география растительности, пер. с нем., М., 1966. *გ. ნახუცრიშვილი.*

ასიციოცხლო ციკლი, განვითარების ციკლი, განვითარების ფაზათა ერთობლიობა, რ-თა გავლის შემდეგ ინდივიდი ზრდასრულ ფორმას აღწევს და ახ. თაობის მოცემის უნარი აქვს. ს. ც-ში ერთმანეთს ენაცვლება ჰაპლოიდური და დიპლოიდური ფაზები. მრავალუჯრედიან ცხოველებში *დიპლოფაზა* მეტად ხანგრძლივია, *ჰაპლოფაზა* კი — ხანმოკლე (წარმოდგენილია სპერმატოზოიდითა და კვერცხუჯრედით). დიპლოფაზის განვითარება შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (მეტამორფოზიანი). მეტამორფოზული განვითარებისას ინდივიდი გაივლის ნაირგვარ სტადიას (მაგ., პეპლები—კვერცხის, ლარვის, ჭუპრის, იმაგოს სტადიებს). ყვავილოვან მცენარეებში ასევე ძალზე რედუცირებულია ჰაპლოფაზის ხანგრძლივობა. დიპლოფაზას (სპოროფიტს) კი მთელი მცენარე წარმოადგენს. უმდაბლეს მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში, პირიქით, ს. ც-ის დიდი ნაწილი ჰაპლოფაზას უჭირავს. ს. ც. რთულია იმ ინდივიდებში, სადაც სქესობრივი გამრავლება უსქესო და პართენოგენეზულ გამრავლებას ენაცვლება (იხ. *თაობათა მორიგეობა*). ს. ც. ჩამოყალიბდა ევოლ. პროცესში როგორც უმნიშვნელოვანესი შეგუება. *ა. შათირიშვილი.*



სასიცოცხლო ციკლი. სფოროდურთა (Chrysaora) სასიცოცხლო ციკლის სქემა; 1—კვერცხი; 2—პლანულა; 3 — სციფოსტომის; 4 — სციფოსტომი ახალგაზრდა სციფოსტომებით; 5—სციფოსტომი სტრობილას სტადიაში; 6—ეფირი; 7—მედუზა.

სასკატუნი (Saskatoon), ქალაქი დას. კანადაში, სასკაჩევანის პროვინციაში, მდ. საუთ-სასკაჩევანის ნაპირზე. 154 ათ. მკხ. (1981). სარკინიგზო კვანძი. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. კვების, სამკერვალო, ქიმ. მრეწვ., ნავთობგადამუშავება. ცემენტის ქ-ნა. კალიუმის მარილების მოპოვება და გადამუშავება. უნ-ტი.

სასკაჩევანი (Saskatchewan), მდინარე სამხრ. კანადაში. წარმოიქმნება ნორთ-ს-ისა და საუთ-ს-ის შეერთებით, რ-ებსაც სათავე აქვთ კლდოვან მთებში. მიედინება დიდ და ცენტრ. ვაკეებზე. ჩადის უინიპეგის ტბაში. სიგრძე 544 *კმ* (საუთ-ს-ის სათავიდან—1928 *კმ*), აუზის ფართ. 385 ათ. *კმ*². უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის ივლ.-აგვ-ში, წყალმცირეა დეკ.-მარტში. იყინება ნოემბ. I ნახევარში, ყინულძვრაა აპრ. II ნახევარში. წყლის საშ. ხარჯი ქ. ტე-პასთან 780 *მ*³/*წმ*. სანაოსნოა ცალკეულ მონაკვეთებზე. ზეთოში იყენებენ სარწყავად. მდ. ნორთ-ს-ის ნაპირზეა ქ-ები ედმონტონი და პრინსალბერტი, მდ. საუთ-ს-ზე — სასკატუნი.

სასკაჩევანი (Saskatchewan), პროვინცია ცენტრ. კანადის სამხრ. ნაწილში. ფართ. 651,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 955 ათ. კაცი (1979), აქედან დაახლ. 53% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ცენტრი და ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი — რიჯაინა. პროვინცია მდებარეობს *ლაურენტის მაღლობისა* (ჩრდ-ით) და *დიდი ვაკეების* (სამხრ-ით) ფარგლებში. მთავარი მდინარეა სასკაჩევანი. ს. იძლევა კანად. ხორბლის მოსავლის დაახლ. 1/2-ს, ჭვავისა და შვრიის — 2/3-ს, ქერის, სელისა და რაფსის — 1/3-ს. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ღორს. იღებენ კალიუმის მარილებს, აგრეთვე ნავთობს, ჰელიუმს, სპილენძს, ურანის კონცენტრატებს. განვითარებულია კვების, ქიმ., მეტალ., სას.-სამ. მანქანათაშ., ნავთობგადასამუშ., ხის დასამუშ. და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა.

სასკოლო თეატრი, სასკოლო დაწესებულებების თეატრები, რ-ებიც შეიქმნა შუა საუკუნეებში დას. ევროპაში როგორც აღზრდისა და ლათ. ენის შესწავლის საშუალება. შემდეგში გამოყენებულ იქნა კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის განსამტკიცებლად. ს. თ-ში დადგმული სასკოლო დრამა მისტერიის ან მირაკლის ხასიათისა იყო. ს. თ. არსებობდა დას. ევრ. (XV—XVIII სს.) მრავალ ქვეყანასა და რუსეთში (XVII—XVIII სს.), XVI—XVII სს-ში განვითარდა პოლონეთში, შემდეგ — უკრაინაში. რუსეთში ს. თ-ის ფუძემდებელია სიმეონ პოლოცკი. ს. თ-ის წარმოდგენებს აჩვენებდნენ სასწ. დაწესებულებებსა და მოედნებზე დღესასწაულების დროს. საქართველოში ს. თ. შეიქმნა XVIII ს-ში თბილ. (1756) და თელავის (1782) სემინარიების დაარსებასთან დაკავშირებით. პიიტიკისა და რიტორიკის კლასები აწყობდნენ საჯარო გამოსვლებს, დრამ. წარმოდგენებს. ქართ. ს. თ-ის გამოჩენილი მოღვაწე იყო თელავის სემინარიის რექტორი დ. ალექსი-მესხიშვილი. *დ. ჯანელიძე.*

სასპოლო პიგიენა, იხ. *პიგიენა სასკოლო.*

სასკუიჰენა (Susquehanna), მდინარე აშშ-ის აღმ. ნაწილში. სიგრძე 990 *კმ*, აუზის ფართ. 71 ათ. *კმ*². სათავე აქვს ოტსიგოს ტბაში. კვეთს აპალაჩის მთებს, პიდ-

მონტის პლატოს და აჩენს ჭოროშებს. ჩადის ატლანტის ოკეანის ჩესაპიკის ყურეში. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა სექტ.-ნოემბ-ში. იყინება დეკ. ბოლოს, ყინულძვრაა მარტ-აპრილში. წყლის საშ. წლ. ხარჯი ქ. ჰარისბერგთან 963 $მ^3/წმ$. ს.-ზეა ჰესი. სანაოსნოა ქვემოთში.

სასმენი ძვლები, ვისცერალური ქალას 3 პატარა ძვალი — ჩაქუჩი, გრდემლი და უზანგი, რ-ებიც მდებარეობს დაფის ღრუს ზემო ნაწილში და ერთმანეთს უკავშირდება სახსრებით და იოგებით. ჩაქუჩი შეზრდილია დაფის აპკთან და ენაწევრება გრდემლს, გრდემლი — უზანგის თავს, ხოლო უზანგის ფირფიტა შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოებით უკავშირდება კარიბჭის სარკმელს. დაფის აპკიდან მომავალი ბგერითი რხევები ს. ძ-ის ძეწკვის ამოძრავების შედეგად გადაეცემა კარიბჭის სარკმელს, რაც თავის მხრივ აამოძრავებს პერილიმფასა და ენდოლიმფას და ამრიგად ვიბრაცია აღიბეჭდება სპირალურ ორგანოზე. *ელ. აბაშიძე.*

სასმენი ხელსაწყოები, სასმენი აპარატები, ხმის გამაძლიერებელი ხელსაწყოები, რ-ებსაც იყენებენ სიყრუისა და სმენის მყარი დაქვეითების დროს. ელექტროაკუსტიკური მოწყობილობა, რ-იც შედგება მიკროფონის, მაძლიერებელ-გარდამქმნელისა და ტელეფონისაგან. ბგერითი რხევები აღწევენ მიკროფონამდე, სადაც მათი ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება. ელექტრონ-მილაკებით ან ტრანზისტორებით გაძლიერებული ელექტრული რხევები აღწევს ტელეფონამდე, სადაც კვლავ გარდაიქმნება ბგერით რხევებად, რ-ებსაც აღიქვამს ყური. იყენებენ საჰაერო (გაძლიერებულ ბგერით სიგნალს გადასცემს გარეთა სასმენ მილს) და ძვლის (უზრუნველყოფს ბგერის გადაცემას შიგნითა ყურში) ხმისგამტარ ტელეფონებს, საჰაერო ტელეფონს უდგამენ ყურში, ძვლის ტელეფონს მიაჭერენ დვრილისებრ მორჩს. არსებობს პატარა ს. ხ. მინიატიურული ტელეფონით, რ-იც მაგრდება ყურში ინდივიდ. სამაგრის საშუალებით. ს. ხ-ს ამზადებენ აგრეთვე სათვალის, თმის დასამაგრებლის, ჯიბის საათის და სხვ. სახით.

სასოვო, ქალაქი (1926-იდან) რსფსრ რიაზანის ოლქში, მდ. ცნის (ოკის აუზი) ნაპირზე. სასოვოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, რიაზანიდან 184 *კმ*. კვების მრეწველობა. სავაჭრო მოწყობილობის, სას.-სამ. მანქანათაშ., რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, სარკინიგზო ტრანსპ. საწარმოები, სამკერვალო და საქსოვი ფ-კები; ავეჯის წარმოება. ტექნოლ. და სას.-სამ. ტექნიკუმები, სამოქალაქო ავიაციის საფრენოსნო სასწავლებელი.

სასოფლო მშენებლობა, მშენებლობის დარგი, რ-იც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას. ს. მ-ის ობიექტებია სას.-სამ. წარმოების, სოფლის მოსახლ. საბინაო, კულტ.-საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობები და ნაგებობანი, სას.-სამ. წარმოების კომპლექსები და სხვ.

რევოლუციამდელ რუსეთში ს. მ. ძირითადად კუსტარული წესით დამზადებული საშენი მასალებითა და ხელის შრომით სრულდებოდა. ოქტ. რევ. შემდეგ ს. მ. სწრაფად გაფართოვდა. 1918 შეიქმნა, ს. მ-ის კომიტეტი, 1919 დამტკიცებულ იქნა სოციალ. მიწათმოწყობის დებულება, რ-ითაც განსაზღვრული იყო სოფლის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის გზები. სას.-სამ. დანიშნულების შენობების დაპროექტებისათვის 1929 სსრკ-ის მიწათმოქმედების კომისარიატთან შეიქმნა საპროექტო ორგანიზაცია და სამეცნ.-კვლ. ინტი, 1930 — „საკავშირო სოფლმშენი" ტრესტებით განისაზღვრა ს. მ-ის პროგრამა კოლ-ებსა და საბჭ. მეურნეობებში, დაიწყო სოფლად საბინაო, საწარმოო და საზ. დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. კოლ-ებსა და საბჭ. მეურნეობებში ფართოდ გაიშალა მშენებლობის ფრონტი.

ს. მ-ის მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა სამამულო ომის (1941—45) შემდეგ. სოფ. მეურნ. ინდუსტრ. რელსებზე გადაყვანის შემდეგ კი უფრო გაფართოვდა ს. მ-ის მასშტაბები, შეიქმნა აგროსამრეწვ. გაერთიანებები, აშენდა მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეღორეობის საწარმოო კომპლექსები, მარცვლეულის გადამმუშ. შენობები, ელევატორები, საკონსერვო კომბინირებული ქ-ნები, ჩატარდა დიდი მოცულობის მელიორ. სამუშაოები.

საქ. სსრ-ში 1966 შეიქმნა ს. მ-ის სამინისტრო. საქ. სსრ ს. მ-ის სამინისტროს საკუთარი ძალებით შესრულებულმა სანჯარო სამუშაოების მოცულობამ 1980 შეადგინა დაახლ. 163 მლნ. მან.

1982 სახელმწ. და კოლ-ბების კაპიტალურმა დაბანდებამ საქ. სსრ სოფ. მეურნეობაში შეადგინა 510 მლნ. მან. მ. შ., წარმოებითი დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე 468 მლნ. მან.

შ. ალუღიშვილი.

სასოფლო-სამეურნეო ავიაცია, ორგანიზაცია (სამსახური), რ-იც სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად იყენებს თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს. ავიაციით სარგებლობის უპირატესობა ის არის, რომ სამუშაოები სწრაფად ტარდება, ფართოვდება გატანის განი (60 *მ*-მდე მოფრქვევისას, ხოლო 30 *მ*-მდე მინერ. სასუქების გაფანტვისას), მცირდება შრომითი დანახარჯები, შხამქიმიკატებისა და სასუქების ხარჯი, გამორიცხულია მცენარეთა მექან. დაზიანება და სხვ. სსრკ-ში ამ მიზნით იყენებენ ან-2, ან-2 მ, იაკ-12 ტიპის თვითმფრინავებს და მი-1, მი-2, კა-26, კა-15 ტიპის ვერტმფრენებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელი, იხ. *კოლმეურნეობა.*

სასოფლო-სამეურნეო აღწერა, სტატისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთი ფორმა. მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელემენტთა მონაცემების დადგენას, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესწავლას. ს.-ს. ა-ს შეუძლია მოიცვას ქვეყნის მასშტაბით ან მის ნაწილში სას.-სამ. წარმოების ყველა ძირითადი ელემენტი ან სას.-სამ. წარმოების რომელიმე ელემენტი. ს.-ს. ა. ტარდება ერთდროულად, ერთიანი პროგრამითა და მეთოდოლოგიით.

სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგია, ექსპერიმენტული ბიოლოგიის განყოფილება, რ-იც შეიმუშავებს კულტურულ მცენარეთა, შინაურ ცხოველთა და სასარგებლო მიკროორგანიზმთა პროდუქტიულობის ამაღლების თეორიულ საფუძვლებს. ს.-ს. ბ. წარმოიშვა და ვითარდება ბიოლ. და სას.-სამ. მეცნ. მიჯნაზე სოფ. მეურნ. მოთხოვნილებებთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით. მისი ძირითადი ამოცანებია სას.-სამ. მცენარეთა და ცხოველთა *პეტეროზისის* გენეტ. და ფიზიოლ.-ბიოქიმ. საფუძვლების დადგენა, ჰიბრიდიზაციის დროს მშობლიურ წყვილთა შერჩევა, მცენარეთა პოლიპლოიდური ფორმების გამოყენება, აგრეთვე ხელოვნური მუტაგენეზის ბუნების შესწავლა; მცენარეთა და ცხოველთა პათოგენეზისა და იმუნიტეტის გენეტ. და ფიზიოლ.-ბიოქიმ. საფუძვლების შემუშავება; სას.-სამ. ცხოველთა კვების, ლაქტაციის ბიოქიმ. და ფიზიოლ. პროცესების, კვების ნორმებისა და რაციონის შემუშავებისა და სრულყოფის მიზნით ორგანიზმში ცილებისა და ცხიმების სინთეზის, ცხოველთა შენახვის სისტემის, მათი რძისა და ხორცის პროდუქტიულობის ამაღლების, მატყლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ნამატის გაზრდის თავისებურებათა დეტალური შესწავლა. ს.-ს. ბ-ის კვლევის პრობლემებია აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმ. და ბიოლ მეთოდების სრულყოფა; მთელი რიგი უნიშვნელოვანესი ორგ. ნაერთების (ამინმჟავები, ცილები, ანტიბიოტიკები, ფერმენტები და სხვ.) წარმომქმნელი მიკროორგანიზმების, ასევე ნიადაგის მიკროორგანიზმების, ნაწლავის მიკროფლორისა და სხვ. შესწავლა. ს.-ს. ბ-ის კომპლექსურ კოორდინაციასა და წარმართვას ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის სახ. საკავშ. სას.-სამ. მეცნ. აკადემია და მის განმგებლობაში მყოფი ინ-ტები. ს.-ს. ბ-ის პრობლემებს აშუქებს ჟურნ. „სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგია" (1966-იდან) და სხვა სას.-სამ. და ბიოლ. ჟურნალები.

სასოფლო-სამეურნეო გაღასახადი, იხ. *საშემოსავლო გადასახადი.*

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მეცნიერების მიღწევათა საჯაროდ ჩვენების ს.-ს. ბ-ს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ეწყობოდა რუს. სხვადასხვა ქალაქში — პეტერბურგში (1850 და 1860), მოსკოვში (1864 და 1895), ხარკოვში (1887), კიევში (1913), ხოლმოგორში (1857). 1860 პეტერბურგში მოწყობილ გამოფენაზე მაღალი შეფასება მიიღეს ქუთ. მეაბრეშუმეობის სასწავლებელმა დამზადებულმა აბრეშუმის ჯარამა. 1890—94 მედლით დაჯილდოვეს თბილ. ს ბაღისნო სკოლა. 1889—99, 1901 თბილისში მოეწყო ს.-ს. ბ-ები. 1897 აქვე ჩატარდა პირველად კავკ. ს.-ს. ბ.

საქართველოში ს. ს. ბ-ებმა ფართო ს განმან. და პროპაგანდისტული მნიშვნელობა მხოლოდ საბჭ. ხელისუფლების დაყარების (1921) შემდეგ მიიღო. 1922 17 დეკ. თბილ. უნ-ტის შენობაში მოეწყო ს.-ს. ბ., ხოლო 1926 — სას.-სამ. მანქანათა იარაღების საერთაშ. გამოფენა. საქ. სსრ ყოველთვის მონაწილეობდა სსრკ-ში გამართულ ყველა ს.-ს. ბ-ში, რ-იც ეწყობოდა 1934—41 და 1954—58 წლებში. 1958-იდან საკავშ. ს.-ს. ბ. შევიდა სსრკ სახ. მეურნეობათა გამოფენის შემადგენლობაში.

სარკ-ში ეწყობა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ს.-ს. ბ., კერძოდ, ტერიტორიულ — შიგასამეურნეო, რ-ული, საოლქო (სამხარეო), რესპ., საკავშ., თემატიკური—საერთო და დარგობრივი; ცალკეული კულტურების, ცხოველთა სახეობების და პრობლემური; სპეც. ს.-ს. ბ-ის მონაწილეთა შერჩევა ხდება სოცშეჯიბრის შედეგების მიხედვით. გამოფენაზე გამარჯვებულებს აჯილდოებენ დიპლომებით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით, ფულადი პრემიებით, ნივთებით.

1958 დეკ-ში საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თბილისში (დიდუბეში) დაარსდა საქ. სსრ სახ. მეურნ. მიღწევათა გამოფენა, სადაც სოფ. მეურნეობა მთლიანად დაეთმო მე-5 პავილიონი.

რ. კორინთელი.

სასოფლო-სამეურნეო განათლება, სოფლის მეურნეობისათვის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემა.

რევოლუციამდელ რუსეთში ს.-ს. ბ. როგორც განათლების სპეც. დარგს საფუძველი ჩაუყარა მ. ლომონოსოვმა. შემდგომში იხსნება არაერთი უმაღლესი და საშ. სპეც. სას.-სამ. სასწავლო დაწესებულება.

საბჭ. ხელისუფლების პირველსავე წლებში კომუნისტური პარტია და საბჭ. მთავრობა ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ს.-ს. ბ-ის განვითარებას. 1918—19 შეიმნა 7 სას.-სამ. უმაღლესი სასწავლებელი, 1917—27 უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები გაიხსნა ბაშკირეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში, ბურიატიაში, ყაზახეთში, საქართველოში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. 1940 უკვე იყო 67 უმაღლესი სასწავლებელი (52 ათ. სტუდენტი) და 25

ტექნიკუმი (114,7 ათ. მოსწ.). სსრკ-ში ჩამოყალიბებული ს.-ს. მ-ის სისტემა ზოგად სამეცნ. და სპეც. განათლების ბაზაზე სოფ. მეურნ. ყველა დარგის სპეციალისტების მომზადების საშუალებას იძლევა. ს.-ს. მ. ორგანიზებულია ზონალური პრინციპით მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონ. ზონების ბუნებრივ-ეკონ. პირობებისა და დემოგრაფიული ხასიათის გათვალისწინებით. I—II კურსი ეთმობა ზოგადსამეცნ. მომზადებას, III კურსიდან იწყება სპეც. საგნები. დიდი ყურადღება ეთმობა საზ. დისციპლინებს. სას.-სამ. სამუშაოების პერიოდში სტუდენტები გადიან სასწ. და საწარმოო პრაქტიკას. 1974-იდან შემოღებულია ერთწლიანი სტაჟირება მოწინავე მეურნეობებში უმცროსი სპეციალისტების თანამდებობებზე. სას.-სამ. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნ.-კვლ. ინ-ტების უმრავლესობას აქვს ასპირანტურა. საშ. სპეც. სასწავლებლები და ტექნიკუმები ამზადებენ 18 განშრის (აგრონომია, მცენარეთა დაცვა, ზოოტექნიკა, ვეტერინარია, სოფ. მეურნ. მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია და სხვ.) საშ. კვალიფიკაციის სპეციალისტებს. სასწ. გეგმაშია როგორც ზოგადსაგანმან., ისე სპეც. დისციპლინებიც. პრაქტ. სწავლების მსვლელობაში მოსწავლეები ეუფლებიან 1—2 სამუშაო პროფესიას.

თანამედროვე ს.-ს. მ-ის სისტემაში შედის აგრეთვე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება, რისთვისაც სსრკ სას.-სამ. უმაღლეს სასწავლებლებში ორგანიზებულია 100-მდე სპეც. ფაკ-ტი, ტექნიკუმებსა და სასწავლებლებთან — სპეც. განყ-ბები. არის აგრეთვე სოფ. მეურნ. მართვის 100 სკოლა.

საქართველოში, როგორც აგრ. ქვეყანაში, XIX ს. II ნახევარში უდიდესი მნიშვნელობა მიეცა აგრონომ. ცოდნის გავრცელებას. დაარსდა მთელი რიგი სას.-სამ. სკოლებისა (კონდოლში, ლოჭინში, მეჯვრისხევში, თბილისში, ქუთაისში), 80-იანი წლებიდან კი სოფლის სკოლებში გაიხსნა სას.-სამ. განყ-ბები. XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში ქართ. ახალგაზრდები უმაღლეს ს.-ს. მ-ს (სატყეო-ტექ., სამიწათმოქმედო და სხვ.) იღებდნენ რუს. და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწაულებლებში. 1919 ეტექიმ ვ. ფარეიშვილის ინიციატივით თბილისში დაარსდა ქართ. სამხ. საველტერინარო-საფერშლო სკოლა, რ-მაც რამდენიმე წელს იარსება.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ თბილისში დაარსდა (1922) საველტერინარო ტექნიკუმი. 1924 საქართველოში უკვე იყო თბილ., ქუთ., ზუგდიდის ახალსენაკის, გურიის, რაჭის, კახეთის, ბოლნისის სას.-სამ. ტექნიკუმები.

უმაღლეს ს.-ს. მ-ს იძლეოდა 1917 დაარსებული *თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის* აგრონ. პროფილის ფაკ-ტები და თსუ-ის სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო ფაკ-ტთან 1919 გახსნილი აგრონ. განყ-ბა, რ-იც 1921 გადაკეთდა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტად, ხოლო 1929—30 მას შეუერთდა პოლიტექ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტები და შეიქმნა თბილ. სას.-სამ. ინ-ტი. 1930—32 გაიხსნა თბილ. ბოჭკოვან კულტურათა, სოფ. მეურნ. მავნებლებთან ბრძოლის, სოხუმის ეთერზეთოვან (სუბტროპიკულ) კულტურათა, ოზურგეთის ჩაის ინ-ტები, თბილ. ზოოვეტ. ინ-ტი, სატყეო-ტექ. ინ-ტი, საქართვ. უმაღლესი სას.-სამ. სკოლა, საინჟინრო-სამელიორაციო ინ-ტი, სუბტროპ. კულტურათა ინ-ტი. მაგრამ იმის გამო, რომ მცირე კონტინგენტიანი მრავალი ინ-ტის არსებობა არ იყო გამართლებული, 1933 ჩატარდა არსებული სას.-სამ. ინ-ტების რეორგანიზაცია — ოზურგეთის ჩაის ინ-ტი გადაკეთდა ჩაის მრეწვ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტად, დანარჩენი ინ-ტებიდან კი შეიქმნა დღემდე არსებული ინ-ტები: *საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი*; 1952 გაიხსნა *საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტი*. 1979-იდან საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტზე შემოღებულია აგრო-საინჟინრო სპეციალობა, რაც გამოწვეულია სას.-სამ. კულტურების მოვლა-მოყვანაში ინდუსტრ. მეთოდების ფართოდ გამოყენების აუცილებლობით. 1985 საქართველოში 22 სას.-სამ. ტექნიკუმი, 25 პროფტექ. და 9 ტექ. სასწავლებელი იყო (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი სახალხო განათლება).

სოციალ. ქვეყნების ს.-ს. მ-ის სისტემა ძირითადად ემსგავსება სსრკ-ში დადგენილს. კაპიტალ. ქვეყნებში ს.-ს. მ-ს იღებენ უნ-ტებში, სპეც. ინ-ტებში, კოლეჯებსა და სკოლებში.

ლიტ.: თოდუა გ., სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1967; თოდუა გ., ჯავახიშვილი ი., საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიისათვის, თბ., 1961.

სასოფლო-სამეურნეო კომუნა, იხ. *კომუნა* სასოფლო-სამეურნეო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, *კოოპერაციის* სახე; აერთიანებს სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლებს პროდუქციის ერთობლივი წარმოებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად. წარმოიშვა დას. ევრ. ქვეყნებში XIX ს. I ნახევარში, ხოლო აღმ. ევრ. ქვეყნებსა და რუსეთში — XIX ს. II ნახევარში. *იმპერიალიზმის* ეპოქაში ს.-ს. კ. გადაიქცა რთულ სოც.-ეკონ. ორგანიზმად, რ-მაც მოიცვა სოფ. მეურნ. პროდუქციის წარმოება, მისი გადამუშავება, შენახვა; რეალიზაცია, დაკრედიტება, სოფ. მეურნ. აუცილებელი წარმოების საშუალებების წარმოება და ამ საშუალებებით ფერმერების მომარაგება. იხ. აგრეთვე *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კოოპერაციული მოძრაობა.*

ლიტ.: Сельскохозяйственная кооперация в условиях капитализма, М., 1963.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მანქანათმშენებლობის დარგი, რ-იც სოფლის მეურნეობისათვის ამზადებს მანქანებსა და იარაღებს. ს.-ს. მ. წარმოიშვა XIX ს. დამდეგს ინგლისში. ამ დარგში ინგლისი საგრძნობლად უსწრებდა სხვა ქვეყნებს. მალე მას გამოუწინდა კონკურენტი — აშშ. XIX ს. ბოლოს ს.-ს. მ. განვითარდა აგრეთვე საფრანგეთში, შვეიცარიაში, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაშიც.

მეფის რუსეთში ს.-ს. მ. მეტად ჩამორჩენილი იყო. სას.-სამ. ინვენტარის მწარმოებელი პირველი საწარმოები (სარემონტო სახელოსნოები) XIX ს-ში გაჩნდა. ისინიც უმთავრესად საზღვარგარეთის სავაჭრო ფირმებს ეკუთვნოდა და მათ ემსახურებოდა.

ს.-ს. მ-ის მნიშვნელოვანი განვითარება დაიწყო ოქტ. რევ. შემდეგ. 1921—25 ამ დარგის განვითარებამ ომამდელ (1913) დონეს მიაღწია. საბჭ. ხელისუფლების წლებში ს.-ს. მ-ის სწრაფმა განვითარებამ სსრკ-ში უზრუნველყო ქვეყნის სას.-სამ. მანქანების იმპორტიდან მათ ექსპორტზე გადასვლა.

საქართველოში ს.-ს. მ-ს საფუძველი ჩაეყარა კოლექტივიზაციის პერიოდში, დიდი სამამულო ომის წინა წლებში საქართვ. ს.-ს. მ. ამარაგებდა კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებს ჩაის პლანტაციების, ბაღებისა და ვენახების დასამუშ. ინვენტარით. 50-იან წლებში შეიქმნა ს.-ს. მ-ის სპეციალიზებული საწარმოები — თბილ. სას.-სამ. მანქანებისა და ქუთ. მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების (ამჟამად ქუთ. მოტობლოკების) ქ-ნა. 1965 საქართვ. ს.-ს. მ-ის პროდუქცია 3,7-ჯერ გაიზარდა 1950-თან შედარებით, 1970 წ. 1965-თან შედარებით — 1,52-ჯერ, 1984 წ. 1975-თან შედარებით — 1,14-ჯერ. დარგის სწრაფი განვითარების შედეგად უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ხვ. წ. რესპ. მანქანათმშ. მრეწვ. პროდუქციის საერთო მოცულობაში. 1970 მისი ხვ. წ. უდრიდა 1,7 %, 1981 — 2,6 %, 1984 კი—2,7%. საქართველოში ს.-ს. მ-ის შემდგომი განვითარებისა და მანქანებით სოფ. მეურნ. მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 1982 რესპუბლიკაში შეიქმნა სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „სოფლმანქანა“, რ-ის შემადგენლობაშია სამეცნ.-კვლ. და საპროექტო-ტექნოლ. ინ-ტები, ქ-ნები და სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროები. თბილ. ს.-ს. მ-ის ქ-ნა სპეციალიზებულია ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების წარმოებაზე. ქუთ. მოტობლოკების ქ-ნა სპეციალიზებულია 5—7 *ც. ძ.*-ის მქონე მოტობლოკებისა და სხვადასხვა სახის სას.-სამ. იარაღების, მ. შ. „ტ—16 მმჩ“ მარკის შასისა და „პგ — 25“ მარკის გუთნის გამოშვებაზე. ა. *ჩაჩიბაია.*

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლები, ცხოველები, რ-ებიც აზიანებენ ან ანადგურებენ კულტურულ მცენარეებს. მათ რიცხვს განეკუთვნება ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველთა მრავალი კლასის წარმომადგენელი, რ-თაგანაც რაოდენობითა და უარყოფითი მოქმედებით გამოირჩევა მწერებისა და ობობასებრთა კლასში შემავალი სახეობები.

კვების მიხედვით მავნებლები პირობით იყოფა პოლიფაგებად (კალიები, მდელოს ფარვანა, მავთულა ჭიები, შემოდგომის პურეულის ხვატარი და სხვ.), რ-ებიც თითქმის ყველა სახის საკვებით იკვებებიან; განსაზღვრულჭამიებად ანუ ოლიგოფაგებად (შეედური ბუზი, მწვანეთვალა ბუზი, ჰესენის ბუზი და სხვ.), რ-ებიც ერთი ოჯახის სხვადასხვა სახეობის მცენარეებს აზიანებენ; მონოფაგებად (ფილოქსერა, აბრეშუმის ჭია, პამბუკის შავი ცრუფარიანა და სხვ.), რ-ებიც მხოლოდ ერთი სახის საკვებით იკვებებიან.

იმის მიხედვით, თუ როგორია მწერების პირის ორგანოების აგებულება, ისინი მცენარეს სხვადასხვაგვარად აზიანებენ: 1. ღრღნიან ფოთლებს, კვირტებს, კოკრებს, ბურღავენ ყლორტებსა და ტოტებს, აჭიანებენ ნაყოფსა და თესლს; 2. წუწნიან ფოთლებს, კვირტებს, ყლორტებს, ტოტებსა და ნაყოფს, რ-ზედაც ზოგჯერ კიბოსებრი გამონაზარდები წარმოიშობა; აზიანებენ აგრეთვე მცენარეთა მიწისქვეშა ორგანოებს.

ს.-ს. მ. მ-ს ყოფენ ძირითადი საკვები კულტურების მიხედვითაც, მაგ., განასხვავებენ კონტინენტური ხეხილის მავნებლებს, რ-თაგან მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს ბუგრებს, ჩრჩილებს, ოქროკუდას, რინქიტებს, ნაყოფჭამიებს (ვაშლის, ქლიავის, აღმოსავლურს), ფარიანებს, ტკიპებს, მინაფრთიანებსა და სხვ.; ვაზის მავნებლებს — ფილოქსერას, ცრუფარიანებს, ყურძნის ჭიას, ბუკნას ანუ კვირტის ჭიას, ტკიპებსა და სხვ.; ციტრუსოვანთა მავნებლებს—ფრთათეთრას, ბუგრებს, ცრუფარიანებს, ფარიანებს, ტკიპებს; ბოსტნეული კულტურების და პურეული მარცვლოვანების მავნებლებს და ა. შ.

სოფ. მეურნეობაში მავნებლებით გამოწვეული ზარალი დიდია. მათ გასანადგურებლად იყენებენ ბრძოლის აგროტექ., ფიზ.-მექან., ბიოლ., ქიმ. და ინტეგრირებულ მეთოდებს.

აგროტექ. მეთოდი ითვალისწინებს ნიადაგის შერჩევას, მცენარეთა გამძლე (იმუნური) ჯიშების გამოყვანას, სარეველების მოსპობას, სწორი თესლბრუნვის დაცვას, ნიადაგის დამუშავებას.

ფიზ.-მექან. მეთოდი გულისხმობს მავნებლებით მცენარის ძლიერ დაზიანებული ნაწილების მოცილებასა და

მოსპობას, მისატყუებელი ორმოებისა და საჭერი სარტყლების (ნაყოფჭამიებისათვის) გამოყენებას, სინათლით მიზიდვას და განადგურებას და სხვ.

ბიოლოგიური მეთოდი ითვალისწინებს მავნებლების წინააღმდეგ ბუნებრივი მტრების (აკარიფაგები, ენტომოფაგები), მიკრობიოლ. საშუალებების (ენტომოპათოგენური სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები), მწერიჭამია ცხოველების გამრავლებასა და გამოყენებას (საქართველოში ფართოდ იყენებენ აფელინუს-ბურტყლა ბუგრის, კრიპტოლემუს — ფქვილისებრი ცრუფარიანების, ტრიქოგრამას ნაყოფჭამიების, ლინდორუს — ციტრუსოვანთა ფარიანების წინააღმდეგ და ა. შ.).

ქიმიური მეთოდი მოიცავს მავნებლების საწინააღმდეგო სხვადასხვა ქიმ. ნივთიერების (*პესტიციდების*) გამოყენებას. იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის მავნებელთან გვაქვს საქმე, პესტიციდები იყოფა: ინსექტიციდებად, ზოოციდებად, ნემატოციდებად, აკარიციდებად და სხვ.

ბიოფიზიკურ და ბიოქიმიურ მეთოდებს განეკუთვნება გამა-გამოსხივების და ქიმ. პრეპარატების გამოყენება მწერებისა და ტკიპების სქესობრივი სტერილიზაციისათვის და სხვ. *გ. ალექსიძე.*

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება სოციალისტურ საზოგადოებაში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფასად ფორმაში დანახარჯი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე. იგი შეიცავს მოხმარებული წარმოების საშუალებების (C) ღირებულებას და დანახარჯს შრომის ანაზღაურებაზე (V). აგრეთვე ისეთ დანახარჯს, რ-იც თავისი ეკონ. საფუძვლით მიეკუთვნება ზედმეტ შრომას (დანარიცხი ხელფასზე, *პროცენტი* კრედიტზე, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი).

ს.-ს. პ. თ-ში ჩართული დანახარჯი ორი სახისაა: პირდაპირი (შრომის ანაზღაურება, ძირითადი ფონდების ამორტიზაცია, დანახარჯი თესლზე, საკვებზე, სასუქზე, საწვავ-საზეთ მასალასა და მიმდინარე რემონტზე) და ძირითადი წარმოების ორგანიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი დანახარჯი, რ-იც იყოფა ზოგადწარმოებით (ბრიგადირთა, ფერმის გამგეების შრომის ანაზღაურება, დანახარჯი შრომის დაცვაზე, ტრანსპ. საშუალებების შენახვაზე და ა. შ.) და ზოგადსამეურნეო ხარჯებად (დანახარჯი ადმინისტრ. მმართველობით აპარატზე, საკანცელარიო და სხვა დანახარჯი, პროცენტი კრედიტზე).

სასოფლო-სამეურნეო რუკა, ეკონ.-გეოგრ. რუკა, რ-იც ასახავს სოფლის მეურნეობის ტერიტორიული განლაგების ზოგად სახეს ან მისი შემადგენელი დარგების განვითარებასა და სივრცობრივ ორგანიზაციას. იგი გვიჩვენებს რეგიონების სპეციალიზაციას სოფ. მეურნ. გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებაზე, დარგის ან ამა თუ იმ კულტურის გავრცელების არეალებს და წარმოების ორგანიზაციულ ფორმებს. ასახავს სას.-სამ. წარმოების განზოგადებული ხასიათის ეკონ. მაჩვენებლებს ან წარმოდგენას გკვძლევს ერთი რომელიმე კომპონენტის სივრცობრივ განლაგებაზე. ს.-ს. რ-ებს განეკუთვნება: სოფ. მეურნ. განვითარების ძირითადი ფაქტორების ამსახველი რუკები; ცალკეულ რეგიონებში სოფ. მეურნეობის მიღწეული დონის რუკები. ს.-ს. რ. გვიჩვენებს წარმოების როგორც ვიწრო დარგობრივ, ისე სინთეზურ მონაცემებს. პირველს განეკუთვნება, მაგ., სას.-სამ. კულტურების ტერიტორიული გავრცელება, რაც რუკაზე შესაბამისი ნიშნებითაა გამოსახული, მეორეს — სას.-სამ. წარმოების ეკონ. მაჩვენებლები მოსახლ. ან მუშახელის გარკვეულ რაოდენობასთან შედარებით. რუკების შედგენისას ფართოდ იყენებენ სტატისტ. მონაცემებს, აგრეთვე ადგილზე მოპოვებულ მასალას. ს.-ს. რ-ების სერია შესულია საქართვ. ატლასში; გამოცემულია აგრეთვე საქართვ. და ამიერკავკასიის სასწავლო კედლის რუკები. ს.-ს. რ-ები შეტანილია ბევრ რეგიონულ გეოგრ. ატლასში.

ვ. ჯაოშვილი.

სასოფლო-სამეურნეო საკარგული, მიწის ნაკვეთი, რ-საც გეგმაზომიერად და სისტემატურად იყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის. ს.-ს. ს-ს განეკუთვნება სახნავი, ნასვენი,სათიბი, საძოვარი და მრავალწლოვანი ნარგავები (ბაღი, ვენახი, ჩაის პლანტაცია და სხვ.).

მსოფლიოში ს.-ს. ს. შეადგენს 4517 მლნ. ჰა. აქედან სახნავსა და მრავალწლოვან ნარგაობაზე მოდის 1459 მლნ. ჰა, სათიბებსა და საძოვრებზე — 3058 მლნ. ჰა (1977). სსრკ-ში ს.-ს. ს. 606,3 მლნ. ჰა შეადგენს. აქედან სახნავია (მლნ. ჰა) 227,1, სათიბი — 41,3, საძოვრები — 332,4 (1980); საქ. სსრ ს.-ს. ს-ის ფართობია 3,2 (მლნ.ჰა), საიდანაც სახნავია 0,8, მრავალწლოვან ნარგავებიანი — 0,36, სათიბი — 0,2, საძოვარი — 1,9 (1980).

ს.-ს. ს. როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად ცვალებადია. სას.-სამ. წარმოებაში ხდება ახ. მიწების ჩართვა, მიმდინარეობს სავარგულების ტრანსფორმაცია — ექსტენსიური სავარგულებიდან ინტენსიურში, დაბალპროდუქტიული სავარგულების გარდაქმნა მაღალპროდუქტიულად და ა. შ.

ს.-ს. ს-ის გაუმჯობესება ხორციელდება მიწების მელიორაციის გზით, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით, სარწყავი კულტ. საძოვრების შექმნით და სხვ. *გ. ბურკაძე.*

სასოფლო-სამეურნეო საფარმოთა სამეურნეო ანგარიში, სამეურნეო ანგარიშის ნაირსახეობა, რ-ის თავისებურებას განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა და ამ დარგში წარმოების საშუალებათა საკუთრების ორი ფორმა.

ბუნებრივ-ბიოლ. პროცესების ხასიათი სოფ. მეურნეობაში (მცენარეებისა და ცხოველების ზრდა, წარმოების სეზონურობა, ბუნებრივი პირობების მნიშვნელოვანი როლი წარმოების შედეგებზე და სხვ.) გავლენას ახდენს წარმოების რიტმზე, საწარმოო ფონდების მოძრაობასა და მთელ ეკონ. საქმიანობაზე. ამიტომ სოფ. მეურნეობაში უფრო მეტადაა გამოხატული საწარმოთა დამოუკიდებლობა, ამავე დროს უფრო ფართოდ გამოიყენება კრედიტი. სას.-სამ. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის პირობების გამოთანაბრების მნიშვნელოვანი საშუალებაა მიწის *დიფერენციული რენტა*, რ-საც შედარებით უკეთეს მიწებზე იღებენ და რ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის. მისი ამოღების საშუალებებია: სას.-სამ. პროდუქციის ფასების დიფერენციაცია ბუნებრივ-კლიმ. პირობების მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი (რ-საც კოლ-ბები იხდიან) და სხვ.

სსრკ-ში სოფლად სახელმწ. საწარმოა საბჭ. მეურნ., რ-ის სამეურნეო ანგარიში ძირითადად საერთო პრინციპების ფარგლებშია მოქცეული, ცალკეული არაარსებითი განსხვავებაა საგეგმო მაჩვენებლებში, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციაში, კერძოდ, თუ კი დამზადებამ არ მიიღო მალეფუჭებადი საქონელი (კარტოფილი, ფრინველი), საბჭ. მეურნეობას შეუძლია მიჰყიდოს სხვა ორგანიზაციებს ან გაყიდოს საკოლმ. ბაზარზე. კოლ-ბების სამეურნეო ანგარიში კი უფრო მკვეთრადაა განსხვავებული; კოლ-ბა თვითონაა წარმოების ძირითად საშუალებათა (მიწის გარდა) მესაკუთრე, მისივე საკუთრებაა წარმოებული პროდუქციაც, ამიტომ მისი საკუთარი შემოსავლით გაწეული ხარჯების დაფარვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კალავწარმოების ნორმალური მსვლელობისათვის. შემოსავლის მოცულობა ხშირად ხდება შრომის დაბალი (არასაგარანტიო მინიმუმზე დაბალი) ანაზღაურების მიზეზი და, პირიქით, შემოსავლის ზრდა ზოგჯერ შრომის ძალზე მაღალ ანაზღაურებას განაპირობებს.

კოლ-ბათა საქმიანობას სახელმწიფო გაცილებით უფრო შეზღუდულ ფარგლებში გეგმავს და აწესრიგებს; ამ სექტორში ღირებულებას კანონი უფრო ნებად ამყოფებს რეგულატორის ფუნქციას, ვიდრე სახელმწ. სექტორში. კოლ-ა ცენტრალიზებულად იღებს მხოლოდ სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის დავალებას და იმ მატერ.-ტექ. საშუალებების ლიმიტს, რასაც ზემდგომი ორგანიზაციები ანაწილებენ. დანარჩენ საგეგმო მაჩვენებლებს თვითონ მეურნეობა გეგმავს. შემოსავლის ნაწილს, სახელმწ. ვალდებულებათა გასტუმრების შემდეგ კოლ-ბა იყენებს წარმოების განვითარებისათვის. კოლ-ბა ქმნის აგრეთვე შემდეგ ფონდებს: სოც. უზრუნველყოფისა და კოლმეურნეთა მატერ. დახმარების, მატერ. წაქალისების, კულტ.-საყოფაცხოვრებო ღონისძიებების. სარეზერვო შემოსავლის გ.ნაწილების ფორმებსა და პროპორციებს დადგენილი წესების ფარგლებში თვითონ კოლ-ბები განსაზღვრავენ. *გ. გელესიანი.*

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები, ამზადებენ სას.-სამ. წარმოების სპეციალისტებს, სწავლულ აგრონომებს, ზოოინჟინრებს, ვეტექიმებს, ინჟინერ-ელექტრიკოსებს, მექანიკოსებს, ჰიდრომელიორატორებს და სხვ., აყრეთვე სამეცნ.-პედ. კადრებს სას.-სამ. ^ეცნიერებათა დარგებში. 1985 ს.-ს. შ^ის ქსელი მოიცავდა 76 სას.-სამ. უმაღლეს სასწავლებელს (6 სას.-სამ. აკადემია, 67 სას.-სამ. ინ-ტი, 1 სუბტროპ. მეურნ., 1 მებამბეობის და 1 მეხილეობა-მებოსტნეობის ინ-ტები), 14 სავეტერინარო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინ-ტს, სოფ. მეურნ. ელექტრიფიკაციისა და მელიორაციის 7 ინ-ტს, 4 ჰიდრომელიორაციის ინ-ტს, მიწათმოწყობის, რძის ინ-ტებს, აგრეთვე სას.-სამ. ინ-ტის 9 ფილიალს. სწავლების ვადა 4½—5 წელია, დღის და დაუსწრებელი სწავლების ფაკ-ტებია, მოსამზადებელი განყ-ებებია, ასპირანტურა. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვისთვის მიღების უფლება აქვთ: ბელორ. (1840, გორკი, მოგილიოვის ოლქი), მოსკ. კ. ტიმირიაზევის სახ. (1865), უკრ. (1898, კიევი), ლიტვ. (1924, კაუნასის რ-ნი), ლატვ. (1939, ელგავა) სას.-სამ. აკადემიებს; ხარკოვის ვ. დოკუჩაევის სახ. (1816), ლენინგრ. (1904), ვორონეჟის კ. გლინკას სახ. (1913), სარატოვის (1913), მთიელთა (1918, ორჯონიკიძე), დონის (1918, პერსიანოვკა, როსტოვის ოლქი), ოდესის (1918), ომსკის ს. კიროვის სახ. (1918), ბელაია-ცერკოვის (1920, კიევის ოლქი), ყუბანის (1921, კრასნოდარი), საქ. სას.-სამ. (1929—30, თბილისი), ორენბურგის ა. ანდრეევის სახ. (1930), სომხ. (1930, ერევანი), ყაზ. (1930, ალმა-ათა), სტავროპოლის (1933), ყირგ. კ. სკრიაბინის სახ. (1933, ფრუნზე), ტაშკენტის (1934), ნოვოსიბირსკის (1935), კიშინიოვის მ. ფრუნზეს სახ. (1940), ულიანოვსკის (1943), ვოლგოგრადის (1944) სას.-სამ. ინ-ტებს, ლვოვის (1881), ერევნის (1928), ალმა-ათის (1929) ზოოვეტ. ინ-ტებსა და საქ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევით ინ-ტს (1932), ლენინგრ. (1919), ყაზანის ნ. ბაუმანის სახ. (1873), ომსკის (1918 ვეტ. ინ-ტებს, მოსკ. ვეტ. აკად. კ. სკრიაბინის სახ. (1919), მოსკ. მიწათმოწყობის ინ-ტს (1845); მოსკ. (1930) და ნოვოჩერკასკის (1930) ჰიდრომელიორ. ინ-ტებს; მოსკ. ვ. გორიაჩკინის სახ. სას.-სამ. წარმოების ინჟინერთა ინ-ტს (1930) და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაად-

გილება ქვეყნის ტერიტორიაზე ცალკეულ საწარმოთა საზღვრებში ამა თუ იმ სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმაზომიერ განაწილებას გულისხმობს.

სას.-სამ. წარმოების სპეციალიზაცია გვიჩვენებს რ-ნის, ზონის, რესპ. მეურნეობის საწარმოო მიმართულებას. სპეციალიზაცია გულისხმობს წამყვანი (ძირითადი) დარგის გამოყოფას და პირობების შექმნას მისი უპირატესი განვითარებისათვის. სოფ. მეურნეობაში გამოყოფენ ზონალურ, შიდაზონალურ, რ-ნულ, შიდარაიონულ, მეურნეობრივ, შიდამეურნეობრივ, დარგობრივ, დარგთაშორისსა და სხვა ფორმის სპეციალიზაციას.

შრომის საზ. დანაწილების პროცესში ქვეყნის თითოეული ეკონ. რ-ნი, რესპ. და ოლქი თავისი როლითა და სპეციფიკით გამოირჩევა. ქვეყნის მასშტაბით გამოყოფილია 19 მსხვილი ეკონ. რ-ნი, რ-ებიც ძირითადად გარკვეული სახის სას.-სამ. პროდუქციის წარმოებაზეა სპეციალიზებული.

ს.-ს. წ. გ-ისა და ს-ის საკითხების გადაწყვეტა საქართვ. პირობებში განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, ეს გამოწვეულია რესპ. მეტად მრავალფეროვანი და ცალკეული ზონების, რ-ნებისა და თვით მეურნეობათა მიხედვითაც კი მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივი და ეკონ. პირობებით. რესპ. ტერიტ. ვერტ. ზონალობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ზღვის დონიდან 500 *მ*-მდე სიმაღლეზეა რესპ. ტერიტორიის 26,7%, 500—1000 *მ*-მდე — 21,7%; 1000—1500 *მ*-მდე — 19,1%; 1500—3000 *მ*-მდე — 31,5%, ხოლო 3000 *მ*-ზე ზევით — 1,5%.

საქ. სსრ ტერიტ. დაყოფილია სოფ. მეურნ. საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონად და 11 ქვეზონად. ეს ზონებია: 1. ალაზნის ვაკისა და გარეკახეთის ზეგნის სამრეწვ. მევენახეობის ზონა (ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროსა და საგარეჯოს აღმ. რ-ნები; ქვეზონები: I^ა — მევენახეობის, I^ბ — მეთამბაქოეობისა და მევენახეობის, I^გ — მევენახეობისა და მეცხოველეობის); 2. ქ-ების თბილისისა და რუსთავის (ქვემო ქართლის ბარის) საგარეუბნო სოფ. მეურნ. ზონა (მცხეთის, გარდაბნის მარნეულის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, რ-ნები); 3. აღმ. კაკ. მთის მეცხოველეობის ზონა (დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის რ-ნები); 4. შიდა ქართლის ბარის სამრეწვ. მეხილეობის ზონა საგარეუბნო სოფლის მეურნეობით (კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის რ-ნები); 5. სამხრ. ოსეთის მეხილეობისა და მეცხოველეობის ზონა (ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორისა და ჯავის რ-ნები; ქვეზონები: V^ა მეხილეობისა და მეცხოველეობის ქვეზონა და V^ბ — მთის მეცხოველეობის ქვეზონა მეხილეობით); 6. ჯავახეთის მთიანეთის მეცხოველეობისა და მეჯარტოფილეობის ზონა (წალკის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის რ-ნები); 7. სამცხე-თრიალეთის მეცხოველეობისა და მეხილეობის ზონა (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის რ-ნები); 8. იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონა მეცხოველეობით [თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის (ქ. ჭიათურა), საჩხერის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ბანის, ცაგერის, ამბროლაურის რ-ნები; VIII^ა — იმერეთის მაღლობის მევენახეობის ქვეზონა განვითარებული მეცხოველეობით და VIII^ბ — რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მეცხოველეობისა და მევენახეობის ქვეზონა]; 9. დას. კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონა (ონის, ლენტეხის, მესტიის რ-ნები); 10. აფხ. სუბტროპ. კულტურებისა და მეთამბაქოეობის ზონა განვითარებული საგარეუბნო სოფლის მეურნეობით (გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რ-ნები; X^ა—მეციტრუსეობისა და მეთამბაქოეობის და X^ბ — მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონები); 11. კოლხეთის დაბლობის სუბტროპ. კულტურათა ზონა [მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის (ქ. ფოთი), ხობის, ცხაკაიას, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, წულუკიძის რ-ნები]; 12. ქ.-ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნ. ზონა განვითარებული მეჩაიეობით [აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს (ქ. წყალტუბო), ტყიბულის (ქ. ტყიბული) რ-ნები]; 13. აჭარის სუბტროპ. კულტურებისა და მეთამბაქოეობის ზონა განვითარებული მეცხოველეობით (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რ-ნები; XIII^ა — მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის, XIII^ბ — მეთამბაქოეობისა და მთის მეცხოველეობის ქვეზონები).

საქ. სსრ სოფ. მეურნ. სპეციალიზაცია განისაზღვრება ძირითადად მრავალწლიანი ნარგაობის პროდუქციის წარმოებით, კერძოდ, ისეთი დარგებით, როგორიცაა მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციაში მრავალწლიანი ნარგაების წილად მოდის 49,2% (მ. შ. მარტო მეჩაიეობაზე — 31,5%). ამ პროდუქციაში მემცენარეობა სულ 72,6%-ს, ხოლო მეცხოველეობა — 27,4%-ს იკავებს.

რესპუბლიკაში სპეციალიზაციის ყველაზე მაღალი დონით ხასიათდება მეჩაიეობისა და სუბტროპ. მეხილეობის რ-ნები (ამ დარგების ხვ. წ. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციაში 60—90% შეადგენს), აგრეთვე ზოგიერთი მთის რ-ნი, სადაც უპირატესად მეცხოველეობაა განვითარებული.

ს.-ს. წ. გ-ისა და ს-ის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობათაშორისი კოოპერაციის შემდგომ განვითარებასა და წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლებას. უკანასკნელ წლებში საქ. სსრ-ში დადებითი ძვრები მოხდა მეურნეობათაშორისო კოოპ. განვითარებაში. უკვე 1983-თვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 386 მეურნეობათაშორისი საწარმო და გაერთიანება, მ. შ. 215 — სას.-სამ.; 1975-თან შედარებით მათი რიცხვი 2,3-ჯერ გაიზარდა. *პ. ჟღენტი. ო. ქემულარიშვილი.*


სასოფლო სატელეფონო კავშირგაბმულობა, კავშირგაბმულობის სახეობა, რ-იც უზრუნველყოფს სოფლის აბონენტების ტელეფონით ლაპარაკს. ამ მიზნით ერთი სასოფლო ადმ. რ-ნის ფარგლებში ქმნიან რადიალურ-კვანძური აგებულების ავტონ. *სატელეფონო ქსელს*. ასეთი აგებულების ქსელი ეკონომიურად ხელსაყრელია სოფლის *ტელეფონის სადგურის* მცირე ტევადობისა და სადგურებს შორის დიდი მანძილის გამო.

სასპერები, აქემენიდური ხანის სპარსეთის ერთ-ერთ სატრაპიაში შემავალი ტომების სახელწოდება. მატიენებთან და ალაროდებთან ერთად შეადგენდნენ მე-18 სატრაპიას და ყოველწლიური ხარკის სახით სპარსეთის მეფეს 200 ტალანტს უხდიდნენ. მათ ეკისრებოდათ ავრეთვე სამხ. ვალდებულება — სპარს. ხელისუფალთა მოთხოვნით ლაშქრის გამოყვანა. ასე მონაწილეობდნენ ს., მაგ., მეფე ქსერქსეს (ძვ. წ. V ს.) ლაშქრობაში საბერძნეთზე. აქ ისინი კოლხების მსგავსად ყოფილან აღჭურვილი (თავზე ხის მუზარადები ხურებიათ, ხელთ გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, დანები სჭერიათ), ჰეროდოტეს მიხედვით, ს. ფართო ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხია (სპარს. ყურიდან შავ ზღვამდე, ამ ავტორის თანახმად, 4 ხალხი ცხოვრობდა—სპარსელები, მიდიელები, ს. და კოლხები).

ს-ის სახელწოდებას უკავშირებენ სპერის ოლქის, ძვ. აღმოსავლური ხანის სუბარელთა (ხური-მითანელთა), აგრეთვე აღმოსავლურ-ქართ. ტომების — იბერების სახელწოდებებს. ზოგიერთ მკვლევარს ისინი აქემენიდურ ხანაში ქართლის ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ იბერიის წინამორბედ გაერთიანებად მიაჩნდა.


ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *გ. მელიქიშვილი.*

სასპორტო ავტომობილი, სერიული საგზაო მსუბუქი ავტომობილი, რ-იც გამოირჩევა მაღალი დინამიკური თვისებებით. ამის გამო ს. ა-ს შეუძლია შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება. მაღალ დინამ. თვისებებს აღწევენ ძრავას ფორსირების შედეგად, რაც ხდება, რესურსის (მუშაობის ხანგრძლივობის) შემცირების ხარჯზე კუმშვის ხარისხის აწევით, აირგანაწილების ფაზების შეცვლით, კეცების სისტემის სრულყოფით და სხვ. ს. ა-ს უშვებენ სერიულად ორ- ან 4-ადგილიანს. აქვს ორკარიანი დახურული (კუპე) ან ღია (კაბრიოლეტი, როდსტერი, ტარგა) ძარა. ს. ა-ს უშვებენ საზღვარგარეთის ფირმები: „პორშე" (გფრ), „ლამბორგინი", „ფერარი", „ლანჩა", „დე ტომაზო" (იტალია), „ალპინი" (საფრანგეთი), „ავანტი" (აშშ) და სხვ. საფრანგეთის ფირმა „მატრა" უშვებს 3-ადგილიან ს. ა-ს—„ბაგირას". *გ. ჯაფარიძე.*



სასპორტო თვითმფრინავი. ა. იაკოვლევის კონსტრუქციის საპილოტაჟო სასპორტო თვითმფრინავი იაკ—50. ფრენის სიჩქარე 500 კმ/სთ, დგუშიანი ძრავა, სიმძლავრე 360 ც. ძ.


სასპორტო თვითმფრინავი, თვითმფრინავი, რ-იც განკუთვნილია საავიაციო შეჯიბრებაში მონაწილეობისა, პილოტაჟისა და წვრთნისათვის, რეკორდების დასამყარებლად და სხვ. ს. თ-ების უმრავლესობა 1- ან 2-ადგილიანია, 7,35—14,70 *კვტ* (100—200 *ც. ძ.*) სიმძლავრის ძრავიანი. ს. თ-ის ფრენის სიჩქარეა 200—500 *კმ/სთ*, სიშორე — 500—1000 *კმ*, ჭერი — 4000—6000 *მ*. უმაღლესი პილოტაჟის ჩემპიონატებისათვის აკონსტრუირებენ ე. წ. სპილოტაჟო თვითმფრინავებს (ნახ.), რ-ებსაც სხვა ტიპის თვითმფრინავებთან შედარებით დიდი მანევრულობა და სიმტკიცე ახასიათებთ. სიჩქარის, სიმაღლის, სიშორისა და სხვა რეკორდების დასამყარებლად იყენებენ შესაბამისი ტიპის სამხ. ან სამოქალაქო თვითმფრინავებს.



სასპორტო ავტომობილი (სპეციალური): 1 — ძარას კარკასი; 2—ძრავა; 3—რადიატორი; 4—პაერამღებები; 5—საჭესამართის ლილვი; 6 — საწვავის ავზი; 7 — გადაცემათა კოლოფი. 8 — მუხრუჭის დოლი; 9 — გამომშვები მილსადენი.

სასპორტო ხომალდი, ხომალდი, რ-იც განკუთვნილია საზღვაო სპორტული შეჯიბრებისა და ვარჯიშისათვის. ს. ხ-ის ტიპები: ნავი, იალქნიანი ნავი, იალქნიანი იახტა, მოტორული იახტა, მოტორული ნავი, კატარღა, ბორანი, ბანკა, ბანკა-ნავი, ბანკა-იახტა, ბანკა-კატარღა, ბანკა-ბორანი, ბანკა-ნავი-იახტა, ბანკა-ნავი-კატარღა, ბანკა-ნავი-ბორანი, ბანკა-იახტა-კატარღა, ბანკა-იახტა-ბორანი, ბანკა-კატარღა-ბორანი, ბანკა-ნავი-იახტა-კატარღა, ბანკა-ნავი-იახტა-ბორანი, ბანკა-ნავი-კატარღა-ბორანი, ბანკა-იახტა-კატარღა-ბორანი, ბანკა-ნავი-იახტა-კატარღა-ბორანი.

სასპორტო ცხენოსნობა, ცხენოსნობის სახეობა, რ-იც მოიცავს ცხენოსნობის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ჯორითი, ტროტი, ალური, ცხენოსნობა ბარიერებზე, ცხენოსნობა ველზე, ცხენოსნობა ნიშნის მიხედვით, ცხენოსნობა ნიშნის მიხედვით ველზე, ცხენოსნობა ნიშნის მიხედვით ბარიერებზე, ცხენოსნობა ნიშნის მიხედვით ველზე და



სასრული ნაზრდის ფორმულა. ლაგრანჟის ფორმულის გეომეტრიული განმარტება. $\frac{f(b)-f(a)}{b-a}=\frac{BK}{AK}$ არის AB ქორდის, ხოლო $f'(c)$—CT ხმების კუთხური კოეფიციენტი. ლაგრანჟის ფორმულის თანახმად, $y=f(x)$ წირზე მოიძებნება ისეთი C წერტილი, რომელშიც CT ხმები AB ქორდის პარალელურია. ეს თეორემა მართებულია, თუ $f(x)$ [a, b] მონაკვეთში უწყვეტი ფუნქციაა და აქვს წარმოებული (a, b) ინტერვალის ყველა წერტილში.

ლაგრანჟის ფორმულის მექანიკური განმარტება. თუ $y=f(t)$ არის წერტილის მიერ გავლილი მანძილი t დროის მომენტისათვის, მაშინ $\frac{f(b)-f(a)}{b-a}$ არის საშუალო სიჩქარე b—a დროის განმავლობაში. ლაგრანჟის თეორემის თანახმად, მოცემული დროის მონაკვეთის რომელიმე მომენტში წერტილის სიჩქარე უდრის მოძრაობის საშუალო სიჩქარეს იმ პირობით, თუ დროის თითოეულ მომენტში წერტილს გააჩნია გარკვეული სიჩქარე. ამ პირობის შეუსრულებლობისას თეორემა მართებული არაა. ასე მაგ., თუ წერტილი პირველი წამის განმავლობაში მოძრაობს თანაბარი სიჩქარით $v_1=20$ მ/წმ, ხოლო მეორე წამის განმავლობაში—თანაბარი სიჩქარით $v_2=30$ მ/წმ, მაშინ საშუალო სიჩქარე $v=25$ მ/წმ, და, თეორემის თანახმად, დროის რომელიმე მომენტში სხეულის სიჩქარე ამ სიჩქარის ტოლი უნდა იყოს. სინამდვილეში ასეთი სიჩქარე წერტილს არ გააჩნდა მოძრაობის მთელი დროის განმავლობაში. ლაგრანჟის თეორემიდან გამომდინარე ეს მცდარი დასკვნა აიხსნება იმით, რომ პირველი წამის დასასრულს წერტილს არ გააჩნდა გარკვეული სიჩქარე (რეალურად წერტილის სიჩქარე 20 მ/წმ-იდან 30 მ/წმ-მდე იზრდება არა მეყსეულად, არამედ თანდათანობით, ამიტომ არსებობს ისეთი მომენტი, როდესაც სიჩქარე უდრის 25 მ/წმ).

უსასრულოსა და მარადიულის შემეცნება ხორციელდება სასრულისა და გარდამავლის შემეცნებით. შემეცნების პროცესში უსასრულო ობიექტების აზრობრივი განხილვა არის გარკვეული აბსტრაქცია, რადგან უსასრულობა არ შეიძლება იყოს ემპირიულად განცდადი (იხ. *აბსტრაქცია აქტუალური უსასრულობისა, აბსტრაქცია პოტენციური განხორციელებადობისა*). ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში ს-ისა და უ-ს ცნებები მოდელირდება ს-ისა და უ-ს სიმრავლეთა ცნებებით. M და N სიმრავლეებს ეწოდება ეკვივალენტური, თუ M-ის ყოველ წევრს შეიძლება შეუთანადდეს (შეუწყვილდეს) N-ის ერთადერთი წევრი ისე, რომ M-ის ყოველ ორ სხვადასხვა წევრს ეთანადებოდეს N-ის სხვადასხვა წევრები და N-ის ყოველი წევრი ეთანადებოდეს M-ის რ-იმე წევრს. სიმრავლისა და მისი რ-იმე საკუთრივი ქვესიმრავლის ეკვივალენტურობა უსასრულო სიმრავლეების სპეციფ. თავისებურებაა. ეკვივალენტურობის ცნების გამოყენებით ერთმანეთისაგან განასხვაებენ სხვადასხვა „სიმძლავრის" უსასრულო სიმრავლეებს.

ლიტ.: დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1970; ტარსკი ა., ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი, თარგმ. ინგლისურიდან, თბ., 1971; Философия естествознания, в. 1, М., 1966.

ლ. მჭედლიშვილი.

სასრული მათემატიკა, იხ. *დისკრეტული მათემატიკა.*

სასრული ნაზრდის ფორმულა, ლაგრანჟის ფორმულა, დიფერენციალური აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი ფორმულა, რ-იც გამოსახავს კავშირს $f(x)$ ფუნქციის ნაზრდსა და მის წარმოებულს შორის: $f(b)-f(a)=f'(c)(b-a)$, სადაც $a<c<b$ (იხ. ნახ.).

სასრულ სხვაობათა აღრიცხვა, მათემატიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ფუნქციებს არგუმენტის დისკრეტული (წყვეტილი) ცვლილებისას, დიფერენციალური აღრიცხვისა და ინტეგრალური აღრიცხვისაგან განსხვავებით, სადაც არგუმენტი *ერგულისხმება* უწყვეტად ცვალებადი. $y=f(x)$ ფუნქციის არგუმენტის მნიშვნელობათა $x_0, x_1, \ldots, x_k, \ldots$ მიმდევრობის ($x_k=x_0+kh$, h მუდმივია, k — მთელი) შესაბამისი $y_1=f(x_1)$, $y_2=f(x_2), \ldots, y_k=f(x_k)$ მნიშვნელობების მიმდევრობის სასრულ სხვაობებს უწოდებენ გამოსახულებებს:

$$\Delta y_k \equiv \Delta f(x_k)=f(x_{k+1})-f(x_k)$$

(პირველი რიგის სხვაობანი)

$$\Delta^2 y_k \equiv \Delta^2 f(x_k)=\Delta f(x_{k+1})-\Delta f(x_k)=$$
$$=f(x_{k+2})-2f(x_{k+1})+f(x_k)$$

(მეორე რიგის სხვაობანი),

. . . . . .

$$\Delta^n y_k \equiv \Delta^n f(x_k)=\Delta^{n-1} f(x_{k+1})-$$
$$-\Delta^{n-1} f(x_k).$$

(n-ური რიგის სხვაობანი).

სასრული სხვაობებიდან შესაბამის წარმოებულებზე გადასვლა ხდება ფორმულით: $\lim_{h\to 0}\frac{\Delta^n f(x)}{h^n}=f^n(x)$, სადაც h არის არგუმენტის ორი მეზობელი მნიშვნელობის სხვაობა.

ს. ს. ა-ის მნიშვნელოვანი მიმართულება შეეხება

$$F[x, \Delta f(x), \ldots, \Delta^n f(x)]=0 \text{ სახის } (1)$$

სხვაობიანი განტოლებების ამოხსნის საკითხს. ჩვეულებრივ, (1) განტოლება ჩაიწერება $\Phi[x, f(x), f(x_1), \ldots, f(x_n)]=0$ სახით. ამ უკანასკნელში სხვაობები გამოსახულია ფუნქციის სათანადო მნიშვნელობებით.

ს. ს. ა. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიახლოებითი გამოთვლებისას.

ლიტ.: Гельфонд А. О., Исчисление конечных разностей, 3 изд., М., 1967.

სასტამბო შენადნობები, ფერადი ლითონების შენადნობები; იყენებენ სხმული სტერეოტიპებისა და ანაწყობის ელემენტების (შრიფტი, სახარავეზო მასალა და მისთ.) დასამზადებლად. ს. შ-ში შედის ტყვია (75—85%), სტიბიუმი (8—23%) და კალა (2—7%). ს. შ-ის დნობის ტემპ-რა დაბალია (240—350°C), აქვს კარგი სამსხმელო თვისებები (ჩაჯდომა — დაახლ. 0,7%), მათგან მიღებული სხმულის სტრუქტურა წვრილმარცვლოვანია. ს. შ. ტოქსიკურია, შედარებით ძვირია და სიმაგრეც აკლია. ამიტომ მათ ზოგჯერ პლასტმასებით ცვლიან. თუთიის ფუძეზე დამზადებული ს. შ. ვერ გავრცელდა მაღალი დნობის ტემპ-რისა და იმის გამო, რომ სამსხმელო მოწყობილობას შლის. ს. შ-ის მოძველებული სახელწოდებაა ჰარტი.

სასტარტო კომპლექსი, *კოსმოდრომის* ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი; აქვს ერთი ან რამდენიმე *სასტარტო მოედანი*. ს. კ-ზე მიმდინარეობს რაკეტების გასაშვები მოსამზადებელი საბოლოო ოპერაციები და მათი გაშვება. ს. კ-ში შედის ყველა საშუალება, რ-ებიც აუცილებელია რაკეტის წინასასტარტო შემოწმებისა და გაშვებისათვის.

სასტარტო მოედანი, რაკეტების გასაშვები ადგილი; *კოსმოდრომის* სასტარტო კომპლექსის ნაწილი. ზოგჯერ ს. შ-ზე ხდება რაკეტების ვერტ. აწყობა სამონტაჟო-საცდელ კორპუსში შემოწმებული და მომზადებული ცალკეული რაკეტის საფეხურებისაგან, აგრეთვე რაკეტაზე სასარგებლო ტვირთის მიმაგრება.

სასტარტო რაკეტული ძრავა, დამხმარე *რაკეტული ძრავა*, რ-საც აყენებენ თვითმფრინავებზე, ფრთიან რაკეტებზე და მისთ. სტარტის ასაჩქარებლად. ს. რ. ძ-ს მახასიათებლებია ძირითად ძრავასთან შედარებით მუშაობის მნიშვნელოვნად ნაკლები ხანგრძლივობა და წევის მაღალი ფარდობა საფრენი აპარატის საწყის მასასთან. ს. რ. ძ-დ იყენებენ *მყარსაწვავიან რაკეტულ ძრავებს*, იშვიათად — *თხევადსაწვავიან რაკეტულ ძრავებსაც*. ხშირად ს. რ. ძ-ს უწოდებენ რაკეტა-მატარებლების პირველი საფეხურების ძრავებს, თუ ეს საფეხურები მომდევნოს პაკეტური სქემით უერთდება (იხ. *შედგენილი რაკეტა*).

სასტარტო უბანი, ბალისტიკური რაკეტის ფრენის უბანი (რაკეტის სატრანსპ. მოედნიდან მოწყვეტის შემდეგ), რ-ზეც რაკეტა ვერტიკალურად მოძრაობს (ინარჩუნებს სატრანსპ. მდგომარეობას).

სასტენდო სროლა, სპორტის სახეობა, რ-ის დროსაც გლუვლულიანი თოფით სატრანშეო ან მრგვალ სტენდებზე საფანტს ესვრიან მოძრავ სამიზნეებს—თეფშებს. სატრანშეო სტენდზე სროლისას სპორტსმენს კონდახი მხარზე აქვს მიბჯენილი, ხოლო მრგვალ სტენდზე სროლისას — თეძოსთან უკავია და ისვრის პირველივე შემართვით.

ს. ს-ის განვითარება იწყება 1880-იდან. მას შემდეგ, რაც გამოიგონეს სამიზნე თეფშების სატყორცნი მანქანა, მანამდე შეჯიბრების მონაწილენი ესროდნენ ცოცხალ სამიზნეს — ფარეულ მტრედებს, რ-ებსაც სპეც. ყუთიდან (სამტრედედან) უშვებდნენ. ს. ს. წააგავს სროლას ნადირობისას, ამიტომ მას ადრე სასროლო-სამონადირო სპორტს უწოდებდნენ.

სატრანშეო ს. ს. შედის ოლიმპიურ პროგრამაში 1900-იდან, თანამედროვე წესებით (200 სამიზნე) — 1952-იდან; ს. ს. მრგვალ სტენდზე—1968-იდან. მამაკაცებისათვის პირად-გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი სატრანშეო სტენდზე ტარდება 1935-იდან, მრგვალ სტენდზე—1947-იდან, ევრ. ჩემპიონატები—1955-იდან; სსრკ პირველობა სატრანშეო სტენდზე ყოველწლიურად ტარდება 1934-იდან, მრგვალ სტენდზე—1948-იდან.

ს. ს-ში დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ქართვ. სპორტსმენებს თ. იმნაიშვილს, ტ. ფლენტს და სხვ.

სასტვენა (Melandrium), ყვავილოვან მცენარეთა გვარი მიხაკისებრთა ოჯახისა. ერთ-, ორ- ან მრავალწლოვანი ბალახებია. მოპირისპირე ფოთლები და ორსქესიანი ან ერთსქესიანი ყვავილები აქვთ. გვარში 100-მდე სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროში. სსრკ-ში 30 სახეობაზე მეტია, საქართველოში 6 სახეობაა ცნობილი. იზრდება, ნახევრად უდაბნოებისა და ტყის სარტყელში მშრალ ღორღიან ფერდობებზე, ტყის პირებზე, ტყეებში, დასარეველიანებულ ადგილებში, ნათესებში. ზოგიერთ სახეობას დეკორ. მებაღეობაში იყენებენ. *ზ. ღვინიანიძე.*

სასტრომიჭოიო ალი (21. V. 1903, ცენტრ. იავა, — 13. III. 1975, ჯაკარტა), ინდონეზიის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. 1953—55 და 1956—57 პრემიერ-მინისტრი. *ბანდუნგის კონფერენციის* (1955) ერთ-ერთი ორგანიზატორი და თავ-რე. 1957—60 ინდონეზიის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში. 1960—66 ინდონეზიის ეროვნ. პარტიის თავ-რე.

სასტუმრო, შენობა, რ-იც გათვალისწინებულია ჩამოსული სტუმრების დროებით საცხოვრებლად. ავტოტურისტების ს-ს მოტელი ეწოდება. პირველი ს-ები ჯერ კიდევ ძვ. სამყაროს ქვეყნებში მ. შ. საქართველოშიც არსებობდა (ქარვასლები, ფუნდუკები ალმ. ქვეყნებში). კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით გაიზარდა სავაჭრო საქმეების ძიმოსვლა, რასაც მოჰყვა თანამედროვე ტიპის ს-ების ჩამოყალიბება (ოთახი — ნომერი), სსრკ ს-თაგან აღსანიშნავია: მოსკოვში „როსია" (არქიტექტორები დ. ჩეჩულინი, პ. შტელერი და სხვ.), ლენინგრადში „ლენინგრადი" (არქიტ. ს. სპერანსკი და სხვ.), თბილისში „ივერია" (არქიტ. ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე) და სხვ.

სასულე, ტრაქეა (გვიანდ. ლათ. tracheia — სასულე), ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების სასუნთქი გზის ნაწილი *ხორხსა* და *ბრონქებს* შორის. ს. მილისებრი ორგანოა, რ-ის კედელს ქმნის ერთშრიანი მოციმციმე ეპითელიუმი და შემაერთებელქსოვილოვანი შრეები; ამ შრეებს შორის ხრტილოვანი ფირფიტები (კუდიანი და უფეხო ამფიბიები), არასრული ე. ი. უკან გახსნილი, ღია, შეუკრავი რგოლები (ქვეწარმავალთა ნაწილი, ძუძუმწოვრები, ადამიანი) ან სრული რგოლებია (ქვეწარმავალთაგან ჰატერია, ხვლიკები, გველები; ფრინველები, რ-თაც ეს ხრტილოვანი რგოლები ხშირად უძვალდებათ). ს-ის სიგრძე შეესაბამება კისრის სიგრძეს (უკუდო ამფიბიებს ფილტვები ხორხთანვე ეწყებათ და ს. არა აქვთ), თუმცა ზოგჯერ (განსაკუთრებით ფრინველებში) საგრძნობად სჭარბობს მას, რის გამოც წარმოიქმნება ხვეულები, განლაგებული კანქვეშ, კუნთებს შორის ან მკერდის ძვლის ღრუში (წეროები, გედები). ფრინველების ს-ის უკანა ბოლო იქ, სადაც ბრონქებად იყოფა, გაფართოებულია „ქვედა ხორხად" ანუ სირინქსად, რ-იც ბგერებს (ფრინველების ხმას) წარმოქმნის. იხ. *ტრაქეა.*

ლ. ნათაძე.

ადამიანის ს. ცილინდრული ფორმის ღრუ ორგანოა, რ-ის ჩონჩხს შეადგენს 16—20 ხრტილოვანი რგოლი. ს. ხორხის გაგრძელებაა. იწყება კისრის VII მალის დონეზე, ჩადის ქვემოთ, უკანა შუასაყარში და გულმკერდის V მალის დონეზე იყოფა მარჯვ. და მარცხ. მთავარ ბრონქებად (ს-ის ბიფურკაცია). ს-ის ხრტილოვანი რგოლები არ არის მთლიანი, უკანა მესამედში ხრტილი არ არსებობს, ეს ნაწილი შედგება შემაერთებელი და კუნთოვანი ქსოვილებისაგან, მიდებულია საყლაპავ მილზე და ს-ის აპკისებრი ნაწილი ჰქვია.

ელ. აბაშიძე.

სასულიერო მუსიკა, რელიგიური ხასიათის მუსიკა, რ-იც სრულდება ეკლესიაში ტაძარში, იხ. *საეკლესიო მუსიკა.*

სასულიერო პოეზია, იხ. *ჰიმნოგრაფია.*

სასულიერო რაინდული ორდენები, რაინდთა სამხედრო-მონაზვნური ორგა-

ზაციები XII—XIII სს. დას. ევროპაში; ...იქმნა ჯვაროსნული ლაშქრობების პე... ...ოდში კათოლ. ეკლესიის მეთაურობით. ...რ. Ო-ის მთავარი მიზანი იყო აღმ-ში ...ჯაროსნების სამფლობელოების გაფარ... ...ება და დაცვა, ხოლო ევროპაში „ურჯუ... ...ოებისათვის“ (მუსლიმანები, წარმარ... ...ები) ახ. ტერიტორიების წართმევა. ცნო... ...ლია *ტევტონთა ორდენი*, *იოანიტების*, ...მპლიერების, ალკანტარა, კალატრავა ... სხვ. ორდენები. ს. რ. Ო-ის წევრები ...რების მსგავსად მორჩილების, სიღარი... ...სა და თავშეკავების აღთქმას დებდნენ, ...გრამ როგორც ფეოდალი რაინდები, ია... ...ლს ატარებდნენ და დამპყრობლურ ლაშ... ...ობებში მონაწილეობდნენ. ს. რ. Ო. ...რაქიულად იყო აგებული; სათავეში ...და მუდმივად არჩეული და პაპის მიერ ...მტკიცებული დიდი მაგისტრი (გროს... ...ისტერი). მას ემორჩილებოდნენ „პროვინ... ...ების“ (ორდენის ადგილ. განყ-ბები) ...სართველები — პრიორები, მარშლები ... რ. Ო-ის ფინანსთა გამგებლები), კო... ...დორები (ციხე-დარბაზების, ციხესიმაგ... ...ების კომენდანტები) და სხვ. ესენი შეად... ...ნდნენ გენ. კაპიტულს, რ-საც პერიოდუ... ...ად იწვევდნენ და რ-იც საკანონმდებლო ...ლაუფლებით იყო აღჭურვილი. ს. რ. ... მსვილი მიწათმფლობელები იყვნენ ... მნიშვნელოვან ეკონ. და პოლიტ. ძალას ...რმოადგენდნენ. ცენტრალიზებული ხე... ...ისუფლების გაძლიერებასთან ერთად ... რ. Ო-მა თანდათანობით დაკარგა მნიშ... ...ელობა, თუმცა ზოგიერთი დღესაც განა... ...ძობს არსებობას, მაგ., ტევტონთა ორ... ...ნი.

ასულიერო სასწავლებლები, თეო... ...ოგიური განათლების კერები; ამზადებენ ...ლიგიური კულტის მსახურებს, სპეცია... ...ისტ-თეოლოგებს, ს. ს-ის მასწავლებ... ...ებს. პირველი ს. ს—ქურუმთა სკოლები— ...მოცენდა ძვ. ეგვიპტესა და ბაბილონეთ... ... (ძვ. წ. II ათასწლ.). ძვ. წ. I ათასწლ. ...ა აზიაში გაჩნდა ბუდისტური მონასტრე... ..., რ-თა უმრავლესობა შემდგომ გადაიქცა ...დისტურ სასწავლებლებად. ინდოეთში ...ეთი სკოლების გარდა იყო ბრაჰმანთა ...სტური სკოლებიც. ქრისტიანობის აღმო... ...ნებას მოჰყვა საკატეხიზისო სკოლების ...ხსნა ალექსანდრიაში (II ს. დასასრ.). ...რუსალიმში, რომში და რომის იმპერიის ...ა ქ-ებში გაიხსნა საეპისკოპოსო სკოლე... ..., ეგზეგეტების (საღვთო წერილის განმ... ...რტებელთა) სკოლები. ადრინდ. შუა ...უკუნეებში აღმოცენდა სას. სემინარიები ...რთ. მართლმადიდებლურ და სომხ.-გრი... ...რიანულ ეკლესიებთან. ევრ. პირველ ...-ტებში (XI—XII სს.) არსებობდა ღვთის... ...ტყველების ფაკ-ტი, მაგრამ შემდგომ ...ოლ. ეკლესიამ შექმნა ს. ს-ის მთელი ...სტემა, სადაც შედიოდა საღვთისმეტყვე... ...ო უნ-ტები და აკადემიები, საერო უნ... ...ბის თეოლ. ფაკ-ტები, სემინარიები, ...ლეჯები, კოლეგიუმები. მართლმადი... ...ებლური და პროტესტანტული ს. ს-ის ...სტემები თითქმის არ განსხვავდებოდა ...თოლიკურისაგან. მუსლ. ს. ს-იდან, ...რველად გაიხსნა *მედრესე* (IX ს.), შემდ... ...მ გაჩნდა *მექთები*, მუსლ. უნ-ტები და ...მ.

...რევოლუციამდელ რუსეთში (1913) იყო ...სას. აკადემია (დაახლ. 1 ათ. სტუდენ... ..., 57 სას. სემინარია (22 ათ. მოსწ.), ...ნ სას. სასწავლებელი (24 ათ. მოსწ.), ...რეთვე ქალთა 85 ს. ს. გარდა ამისა, ...სეთში იყო რომაულ-კათოლ. აკადემია, ...ოლ. კოლეგიუმები და სემინარიები, ...რიების უნ-ტში — პროტესტანტული სალ... ...ისმეტყველო ფაკ-ტი, მუსლ. ს. ს. ...ბანში, უფაში, ორენბურგში, ტაშკენტ... ...და ბუხარაში და სხვ. სხვა ქვეყნებისაგან ...ისხვავებით რელიგ. სწავლება და განათ... ...ება რუსეთში მხოლოდ ს. ს-ში ტარდებო... ..., საერო უნ-ტეში კი სხვა სასწ. საგნებ... ...ნ ერთად ასწავლიდნენ ღვთისმეტყვე... ...ებას და ეკლესიის ისტორიას. ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს. ს. ძირითადად 3 ჯგუფად იყოფა: სა... ...ღვთისმეტყველო უნ-ტები, ინ-ტები, აკადე... ...მიები და თეოლ. ფაკ-ტები საერო უნ-ტებ... ...ში (იძლევა უმაღლეს საღვთისმეტყველო განათლებას და ხშირად ბაკალავრის, კან... ...დიდატის, მაგისტრის ან დოქტორის ხარის... ...ხსაც ანიჭებს); საღვთისმეტყველო სემი... ...ნარიები, კოლეჯები, მედრესეები, უმაღ... ...ლესი თეოლ. და უმაღლესი ყურანის სკო... ...ლები (იძლევა საშ. სას. განათლებას): ბი... ...ბლიური, საკატეხიზისო, ყურანის, სამო... ...ნასტრო და სხვ. სკოლები (ამზადებს ეკ... ...ლესიის დაბალი რანგის მსახურებს).

სსრკ-ში ამჟამად მოქმედებს მოსკ. (ზა... ...გორსკში) და ლენინგრ. სას. აკადემიები, სას. სემინარიები ზაგორსკში, ლენინგრ... ...რადსა და ოდესაში. მოსკ. აკადემიას აქვს დაუსწრებელი განათლების სექტორი და ასპირანტურა. აკადემიების კურსდამთავ... ...რებულებს და უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების მჭონე სას. პირებს სათა... ...ნადო დისერტაციების დაცვის შემდეგ ენიჭებათ ღვთისმეტყველების მაგისტრისა და დოქტორის ხარისხები. აკადემიების მსმენელთა შორის არიან საზღვარგარე... ...თის ქვეყნებიდან ჩამოსული მღვდლებიც. საშ. ს. ს-ია ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. სას. სემინარია (მცხეთა), პროტესტანტული თეოლ. კურსები (ტა... ...ლინი, რიგა), კათოლ. სას. სემინარიები და თეოლ. კურსები (კაუნასი, რიგა), ევანგელისტი ქრისტიან-ბაპტისტების ბიბლიური კურსები (მოსკო... ...ვი). იეშიბა — იუდეველთა კულტის მსახურების მოსამზადებელი სკოლა (მოსკ. ქორალურ სინაგოგასთან). მუსლ. ს. ს-ია უმაღლესი სას. სკოლა (ტაშკენტი) და მირი-არაბის მედრესე (ბუხარა). სომხ. ეკლესიას აქვს ეჩმიაძინის (ერევნის მახლობლად) აკადემია თავისი 2 განყ... ...ბით — აკად. და სემინარიის, რ-იც ამზა... ...დებს კადრებს სომხ. ეკლესიის საზღვარ... ...გარეთის ეპარქიებისა და თემებისთვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრკ-ში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა — ეკლესიისაგან (რსფსრ სა... ...ხკომსაბჭოს 1918 წ. 21 იანვ. დეკრეტით) ს. ს. არ შედის სახ. განათლების სისტემა... ...ში და არც ერთი ტიპის საბჭ. სკოლაში არ ისწავლება საღვთისმეტყველო საგნები. იხ. აგრეთვე *ათეისტური აღზრდა*.

სასუ-ნგესო, ს ა ს უ-ნ გ უ ე ს უ (Sassou-Nguessou) დენი (დ. 1943, სოფ. ედუ, ოვანდოს ოლქი), კონგოს შრომის პარ... ...ტიის (კშპ) ცკ-ის თავ-რე, პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს თავ-რე და კონგოს უმაღლესი მთავარსარდალი 1979 მარტი... ...დან. პოლკოვნიკი. დაიბადა გლეხის ოჯახ... ...ში. სამხ. განათლება მიიღო ბრაზავილსა და ალჟირში. სენ-მექსანში (საფრანგეთი) დაამთავრა ქვეითი ჯარის სასწავლებელი. 1969-იდან კშპ ცკ-ის წევრი, 1970-იდან ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, 1972 და 1974 არჩეული იყო ცკ-ის მდივნად, 1975—77 ცკ-ის სპეციალური რევ. შტაბის წევრი, 1977-იდან კონგოს თავდაცვის მინისტრი. 1977-იდან 1979 თებ-მდე კშპ სამხ. კომი... ...ტეტის თავ-რის I მოადგილე, 1979 თებ.-მარტი კონგოს სახელმწ. მეთაურის მოვა... ...ლეობის შემსრულებელი.

სასუნთქი კუნთები, ჩონჩხის კუნთე... ...ბი, რ-თა მოქმედების შედეგად იცვლება გულმკერდის ღრუს მოცულობა და ხორცი... ...ელდება სუნთქვა. ს. კ. ძირითადად გან... ...ლაგებულია გულმკერდისა და ზურგის მიდამოში, მათ რიტმულ მოქმედებას (შე... ...კუმშვას) არეგულირებს ტვინის ღეროს სასუნთქი ცენტრი. ს. კ-ის ნაწილი მონა... ...წილეობს ჩასუნთქვაში. ამ კუნთებს ძი... ...რითადად განეკუთვნება შუასაბგიდი, ნეკნთაშუა გარეთა კუნთები, აგრეთვე ზურგის უგანიერესი, უკანა ზედა დაკბილული, გულმკერდის დიდი და მცირე, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი, კიბისებრი და ტრაპეციული კუნთები. ამოსუნთქვა ძირითადად ნეკნთაშუა შიგნითა კუნთების შეკუმშვისა და ფილტვის ქსოვილის ელასტიკურობის შედეგად ხდება. ამოსუნთქვაში მონაწილეობს აგრეთვე მუცლის პრესის კუნთები.

ზ. კაციტაძე.

სასუნთქი პიგმენტები, მცენარეული უჯრედის ნაერთების ჯგუფი, რ-იც მონაწილეობს *სუნთქვის* პროცესში.

სასუნი, ისტორიული ოლქი ძვ. სომხეთში, მდებარეობდა ვანის ტბის სამხრ.-დას. მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას და ნადირობას. მათი ბრძოლა IX ს-ში არაბთა წინააღმდეგ საფუძვლად დაედო სომხ. საგმირო ეპოსს „დავით სასუნცს“. X—XIV სს-ში, *თემურლენგის* შემოსევამდე, სამთავრო იყო.

სასურსათო გადასახადი ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი, მტკიცედ დადგენილი ნატურალური გადასახადი გლეხურ მეურნეობებზე, რ-იც შემოიღეს *სასურსათო გაწერის* მაგივრად 1921 წ. 21 მარტს რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებით. ს. გ-ის შემოღება ახ. ეკონ. პოლიტ. პირველი აქტი იყო. მან ს. გ-ის განვითარების არსებითი სტიმული შექმნა. გლეხმა ახლა უკვე წინასწარ იცოდა რა რაოდენობის პროდუქცია უნდა გადაეხადა სახელმწიფოსათვის. თანაც, მოცულობით იგი ნაკლები იყო, ვიდრე სასურსათო გაწერა. 1920 გლეხობამ სახელმწიფოს ჩააბარა 367 მლნ. ფუთი მარცვლეული, 1921 კი იგი 240 მლნ. ფუთით განისაზღვრა. საბჭ. სახელმწიფო აბორციელებდა პროგრ. დაბეგვრის კურსს; მოსავლის ყველაზე მაღალი პროცენტი კულაკურ მეურნეობებს უნდა გადაეხადა.

ს. გ-ის ზევით სას.-სამ. პროდუქცია თვით გლეხებს რჩებოდა. ამან მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ვაჭრობა. სასაქონლო პროდუქციის ან ნამატის ამოღება საბჭ. ქვეყნის საჭიროებისათვის ხდებოდა გლეხობისათვის საჭირო სამრეწვ. საქონელზე მისი გადაცვლის გზით, რამაც ხელი შეუწყო სოფ. მეურნ. და სოციალ. მრეწვ. კავშირების ჩამოყალიბებას. პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებით (1923 აპრ.), ს. გ. შეიცვალა ერთიანი პირდაპირი სას.-სამ. გადასახადით, რ-მაც 1924-იდან ფულადი ფორმა მიიღო.

სასურსათო გაწერა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემა, რ-იც ითვალისწინებდა გლეხების მიერ სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა პროდუქტის ნამატის სავალდებულო ჩაბარებას მტკიცე ფასებში. სამოქალაქო ომის პერიოდში (1918—20) ს. გ. იყო პურის დამზადების ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. პროდუქტის შეგროვებას უზრუნველყოფდნენ სურსათის სახ. კომისარიატის ორგანოები და სასურსათო რაზმები ღარიბთა კომიტეტებისა და ადგილ. საბჭოების აქტ. დახმარების მეშვეობით. 1921 ს. გ. შეიცვალა *სასურსათო გადასახადით* (იხ. აგრეთვე *ახალი ეკონომიკური პოლიტიკა*, *„სამხედრო კომუნიზმი“*).

სასურსათო პროგრამა ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს, 1990 წლამდე პერიოდისათვის სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი; სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების შემდგომი განვითარების მსხვილმასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რ-ის მიზანია კვების პროდუქტებზე საბჭ. ხალხის მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება. იგი სკკპ XXVI ყრილობის მიერ წამოყენებული კომპლ. მიზნობრივი პროგრამაა, რ-მაც მოკლე ვადაში უნდა გადაწყვიტოს მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება სასურსათო პროდუქტებით. ს.პ. ითვალისწინებს კვების მრეწვ. განვითარებას, სას.-სამ. პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ს. პ-ის განხორციელება XI ხუთწლედის (1981—85 წწ.) ცენტრალური პრობლემაა როგორც სამეურნეო, ასევე პოლი-

ტიკური თვალსაზრისით. მისი გადაჭრა დაკავშირებულია სოფ. მეურნ. და მის მომსახურე მრეწვ. დარგებთან, სოფ.მეურნ. პროდუქციის დამზადებასთან, შენახვასა და გადამუშავებასთან, ტრანსპორტირებასა და ვაჭრობასთან. ს. პ-ის განხორციელება დაკავშირებულია აგრომრეწვ. კომპლექსის განვითარებასთან, რასაც დასაბამი მიეცა სკკპ ცენტრ. კომიტეტის 1965 მარტის პლენუმზე, როცა პარტია დაადგა სოფლის მეურნეობაში *კაპიტალური დაბანდების* გადიდების, მატერ.-ტექ. ბაზის განმტკიცების, სას.-სამ. წარმოების დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების სრულყოფის კურსს. აღსანიშნავია, რომ IX და X ხუთწლედებში აგრ. სექტორში კაპიტალდაბანდებამ გადააჭარბა 300 მლრდ. მანეთს, რაც 2,3-ჯერ აღემატება VII—VIII ხუთწლედების კაპიტალდაბანდებას. აღნიშნული თანხა მოხმარდა სას.-სამ. წარმოების ბაზის განმტკიცებას. გაძლიერდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაცია, კომპლ. მექანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია. ფართო მასშტაბებით მიმდინარეობდა სამელიორაციო სამუშაოები.

სოფ. მეურნ. ინტენსიფიკაციამ განაპირობა სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის მოცულობის გადიდება (აქ დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის შემცირების პირობებშიც კი). X ხუთწლედში პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 619 მლრდ. მან. რაც 50 მლრდ. მანეთით მეტია IX ხუთწლედთან შედარებით და 23%-ით VIII ხუთწლედთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ სას.-სამ. წარმოების ზრდა უსწრებს ქვეყნის მოსახლ. მატებას რის შედეგად სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის სამ. წლ. მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 28%-ით. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლ. მოხმარება 1965-თან შედარებით ხორცსა და მის პროდუქტებზე (41%-ით), რძესა და მის პროდუქტებზე (25%), კვერცხზე (1,9-ჯერ), ბოსტნეულზე (35%) და ა. შ. მაგრამ როგორც სკკპ ცკ-ის მაისის პლენუმზე (1982) აღინიშნა, კვების პროდუქტებზე არსებული მოთხოვნა ჯერ კიდევ წინ უსწრებს სურსათის წარმოებას. ამის შედეგად არასტაბილური გახდა მოსახლ. მომარაგება ყოველგვარი სურსათით. პლენუმმა მიუთითა სასურსათო პრობლემის წარმოშობის რამდენიმე მიზეზზე. ესენია: 1. მოსახლ. ფულადი შემოსავლის ზრდა, რასაც ძირითადი სასურსათო საქონლის სახელმწ. საცალო ფასების სტაბილურობის პირობებში მოსდევს მისი მოხმარების გადიდება; 2. აგრ. სექტორში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება. თუ 1940 სსრკ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო სახ. მეურნეობაში მომუშავე პირთა 54%, 1965 ეს მაჩვენებელი 31%-მდე შემცირდა, 1970 წ. — 25, 1975 წ. — 23, ხოლო 1982 წ. — 20%-მდე; 3. აგროსამრეწვ. კომპლექსის ეფექტურობის არასაკმაოდ სწრაფი ზრდა. ამასთან აგროსამრეწვ. კომპლექსის დარგების განვითარებაში შეიქმნა გარკვეული დისპროპორციები, დაგროვდა ნაკლოვანებანი სოფ. მეურნ. პროდუქციის დამზადებისა და შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და ვაჭრობის სფეროში.

სკკპ ცკ-ის მაისის პლენუმის მიერ მიღებული ს. პ-ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი კონკრ. ხასიათი. XI ხუთწლედში გათვალისწინებულია მოსახლ. მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება პურისა და მისი პროდუქტების ფართო ასორტიმენტზე, კარტოფილსა და შაქარზე, აგრეთვე ბურღულზე, საკონდიტრო ნაწარმზე, მარგარინზე, კვერცხსა და თევზზე, გაუმჯობესდება მოსახლ. მოწარაგება, ხორცით, რძით, მცენარეული ზეთითა და ხილ-ბოსტნეულით (იხ. ცხრ. № 1).

როგორც ცნობილია, საბჭ. კავშირის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო შეზღუდულია ზოგიერთი სახის სას.-სამ. პროდუქციის წარმოება, ამიტომ სსრკ ს. პ-ის რეალიზაცია ითვალისწინებს მათ შემოტანას საზღვარგარეთიდან, უწინარეს ყოვლისა, სოციალ. ქვეყნებიდან. სსრკ სოციალ. ქვეყნებიდან მიიღებს აგრეთვე სოფ. მეურნეობისათვის აუცილებელ ტექნიკას. 1985 სსრკ-ში იმპორტირებული იქნება 2-ჯერ მეტი მოწყობილობა კვების, ხორცისა და თევზის მრეწველობისათვის, ვიდრე 1980 წელს. გაფართოვდება ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) წევრ-ქვეყნების ეროვნ. მაღაზიების ქსელი სსრ კავშირში სასურსათო საქონლის გასაყიდად. ტროპ. სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და მოწოდების გაზრდის მიზნით ეკონ. და ტექ. დახმარება გაწევა სამხრ.-აღმ. აზიის სოციალ. ქვეყნებს და ა. შ. ყოველივე ეს ითვალისწინებს გაზრდის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ძირ. მოხმარების დონეს (ცხრ. № 2).

აღნიშნული ღონისძიებები სამ. საკავშირო მაჩვენებლებია. ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში იგი ყალიბდება ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ეროვნ. ტრადიციებისა და სხვა თავისებურების ათვალისწინებით.

ს. პ-ის განხორციელება მოითხოვს აგროსამრეწვ. კომპლექსის პროპორციულ და ბალანსირებულ განვითარებას, მარცვის, დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების სრულყოფას მის ყველა რგოლში, მაქსიმალურ ორიენტაციას მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად; ს.ს.-სამ. წარმოების მაღალი ტემპით განვითარებას მისი თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის ბაზაზე, მიწის ფართობის საღალეფექტო გამოყენებას, მატერ.-ტექ. ბაზის განმტკიცებას, მეცნ. და მოწინავე გამოცდილების დაჩქარებულ დანერგვას აგროსამრეწვ. კომპლექსს წარმოების ტექ. პოტენციალის გამოყენების ყოველმხრივ გაუმჯობესებას; *ფონდუკეთებას* მნიშვნელოვან ამაღლებას; *წარმოების სპეციალიზაციისა* და კონცენტრაციის განვითარებას მეურნეობათაშორისი დარგთაშორისი კავშირების გაფართოების საფუძველზე; ბრძოლას ეკონ. ყაირათიანობისათვის, წარმოებითი გადახარჯების შემცირებას, მუშაობისა და შენახვის პროგრ. ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის გზით სას.-სამ. პროდუქციის დანაკარგის შემცირებასა და ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე სპეციალიზებული ტრანსპორტით გადაზიდვის ორგანიზაციას; სოფლად ცხოვრების სოციალურ საყოფაცხოვრებო პირობებს შემდგომ გაუმჯობესებას.

სას.-სამ. პროდუქციის წარმოების გადიდებაში გადამწყვეტი რული ეკუთვნის სახელმწ. სას.-სამ. საწარმოებსა და კოლმეურნეობებს. სასურსათო რესურსების შევსებას ხელს შეუწყობს აგრეთვე საწარმოების და ორგანიზაციებთან არსებული დარგობრივ მეურნეობების განვითარება. გათვალისწინებულია მოქალაქეთა პირადი დამარე მეურნეობის, კოლექტ. მებაღეობის და მებოსტნეობის შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენება.

ს. პ-ის რეალიზაციის მართვაში მთავარი რგოლია აგროსამრეწვ. გაერთიანებათა საბჭოები, რ-ებიც პარტ. ორგანოების ხელმძღვანელობით უზრუნველყოფენ აგროსამრეწვ. კომპლექსის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის კოორდინაციას. *ჯ. კაბნიაშვილი*

სასუქი (Libanotis), მრავალწლოვან ორწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. 20-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში იზრდება სახეობა, საქართველოში მხოლოდ 1: ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ურ ი ს. (L. transcoucasica); 5-წევრიანი თეთრი ყვავილები აქვს. ნაყოფი თესლურაა და ორგაყოფილი. ტყუპი ნაყოფის ცალს 5 ვიწრო წიბო აქვს. ფოთლები გადანაკვთილია. გვხვდება გზის პირებზე, მდელოებზე. ეთერზეთოვანია. *რ. გაგნიძე*

სასუქი, ორგანული და არაორგანული ნივთიერებანი, რ-ებიც შეიცავს მცენარისაკვებ ელემენტებს, ადიდებს მოსავლიანობას და ნიადაგის ნაყოფიერებას. ს-ებს კლასიფიკაციის საფუძვლად უდევს მათ წარმოშობა ქიმ. შედგენილობა, აგრონ. თვისებები და სტრუქტურა. წარმოშობის (წ ლების) მიხედვით ს. არის ადგილ. ანუ მეურნეო (ნაკელი, მწვანე ს., კომპოსტ და სხვ.) და ხელოვნური ანუ სამრეწ (ფოსფორიტის ფქვილი, ჩილის გვარჯილა კალიუმიანი და აზოტიანი ს-ები, თომას წიდა და სხვ.); ქიმ. შედგენილობის


ცხრ. 1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება
(ყველა კატეგორიის მეურნეობაში; საშუალო წლიური; მლნ. ტ)

	1961—1965	1976—1980	1980—1985[1]	1986—1990[1]
მარცვლეული	130,3	205,0	238—243	250—255
შაქრის ჭარხალი (ფაბრიკის)	59,2	86,7	100—103	102—103
მზესუმზირა	5,1	5,3	6,7	7,2—7,5
კარტოფილი	81,6	82,6	87—89	90—92
ბოსტნეული და ბაღჩეული	19,6	30,0	33—34	37—39
ხილი და კენკრა (ციტრუსების გარეშე)	3,6	9,4	11—12	14—15
ყურძენი	2,8	5,6	7,5—8	10—11
ხორცი (ნაკლავის მასა)	9,3	14,8	17—17,5	20—20,5
რძე	64,7	92,7	97—99	104—106
კვერცხი, მლრდ. ც	28,7	63,1	72	78—79


[1] სსრკ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად.

ცხრ. 2. კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარების დონე (1 სულზე წლის განმავლობაში, კგ)


	1965	1980	1985[1]	1990[1]	რეკომენდებული ნორმა
ხორცი და მისი პროდუქტები	41	58	62	70	70
რძე და მისი პროდუქტები	251	314	318	330—340	360
კვერცხი მლნ. ცალი	124	239	253	260—266	256
თევზის პროდუქტები	12,6	17,6	18,7	19	18,2
შაქარი	34,2	44,4	44,9	44,5	35,3
მცენარეული ზეთი	7,1	8,6	10,4	13,2	13,2
კარტოფილი	142	109	115	110	110
ბოსტნეული და ბაღჩეული	72	97	110	126—135	165
ხილი და კენკრა	28	38	49	66—70	80
პურის პროდუქტები	156	138	137	135	110




1 2 3 4 5 6 7 8 9 10



11 12 13 14 15 16 17 18 19 20



21 22 23 24 25 26 27 28 29 30




31 32 33 34 35 36 37 38 39 40



41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51

საბჭოთა არმიისა და სამხ.-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა სამხრეები **საპარადო და საპარადო–გამოსასვლელ ჩაცმულობაზე: 1.** საბჭ. კავშირის მარშალი. **2.** საბჭ. კავშირის ფლოტის ადმირალი. **3.** ავიაციის მთავარი მარშალი. **4.** ჯავშანსატანკო ჯარების მთავარი მარშალი (ფარაჯისთვის). **5.** არმიის გენერალი. **6.** ფლოტის ადმირალი (ფარაჯისთვის). **7.** გენერალ-პოლკოვნიკი. **8.** ადმირალი. **9.** საინჟინრო ჯარების, კავშირგაბმულობის ჯარების, ტექნიკური ჯარების, საინტენდანტო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი. **10.** სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი. **11.** პოლკოვნიკი. **12.** 1-ელი რანგის კაპიტანი. **13.** მე-3 რანგის კაპიტანი (ფარაჯისთვის). **14.** კაპიტანი. **15.** კაპიტან-ლეიტენანტი. **16.** უფროსი პრაპორშჩიკი (მოტომსროლელი ჯარები). **17.** პრაპორშჩიკი (საარტ., სატანკო, საინჟ. და ტექნ. ჯარების, კავშირგაბმულობის ჯარების, საამშენებლო და მილგამყვანი ნაწილების, სამხ. მიმოსვლის სამსახურის). **18.** მიჩმანი. **19.** ზემდეგი (ზევადიანი სამსახურის). **20.** სერჟანტი (ზევადიანი სამსახურის). **ყოველდღიურ ჩაცმულობაზე: 21.** საბჭ. კავშირის მარშალი. **22.** საბჭ. კავშირის ფლოტის ადმირალი. **23.** არტილერიის მთავარი მარშალი. **24.** არმიის გენერალი. **25.** პოლკოვნიკი. **26.** 1-ელი რანგის კაპიტანი. **27.** კაპიტანი. **28.** პრაპორშჩიკი (საბჭ. არმიის). **საველე ჩაცმულობაზე: 29.** საბჭ. კავშირის მარშალი. **30.** არტილერიის მთავარი მარშალი. **31.** გენერალ-პოლკოვნიკი. **32.** პოლკოვნიკი. **33.** კაპიტანი. **34.** პრაპორშჩიკი. **ყოველდღიურსა და საველე ჩაცმულობაზე** (ფარაჯის გარდა): **35.** ზემდეგი (ზევადიანი სამსახურის). **36.** სერჟანტი (ზევადიანი სამსახურის). **საპარადო–გამოსასვლელ, გამოსასვლელ და საველე ჩაცმულობაზე** (დაბამბული ქურთუკის გარდა) ვადიანი სამსახურის სამხ. მოსამსახურეთათვის: **37.** უფროსი სერჟანტი. **38.** რიგითი. **სამუშაო ჩაცმულობაზე და ვადიანი სამსახურის სამხ. მოსამსახურეთა დაბამბულ ქურთუკზე: 39.** უმცროსი სერჟანტი. **40.** რიგითი. **საბჭ. არმიის სამხ. სასწავლებელთა კურსანტებისათვის: 41.** კურსანტი–ზემდეგი. **42.** კურსანტი. **43.** სუვოროვის სამხ. სასწავლებლის აღსაზრდელი. **სამხ.-საზღვაო ფლოტის ზემდეგებისა და მატროსებისათვის: 44.** მთავარი სახომალდო ზემდეგი. **45.** უფროსი ზემდეგი. **46.** 1-ელი ხარისხის ზემდეგი. **47.** მე-2 ხარისხის ზემდეგი. **48.** მატროსი. **სამხ.-საზღვაო სასწავლებლის კურსანტებისათვის** (სახომალდო შემადგენლობა): **49.** კურსანტი–მთავარი სახომალდო ზემდეგი. **50.** კურსანტი. **51.** ნახიმოვის სამხ.-საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელი.



სტ. *სიმბიოზი*. **1.** მღიერი Lecanora subfusca-ს ნაყოფებიანი თალუსის ჭრილი. სოკოს ჰიფებს შორის მოჩანს მწვანე წყალმცენარეები Chlorococcus-ის გვარისა; **2.** მღიერი Leptogium-ის გვარისა. სოკოს ჰიფებს შორის სიმბიოზური წყალმცენარეებია Nostoc-ის გვარისა; **3.** წამწამიანი ინფუზორია Paramecium bursaria, რ-შიც მოჩანან სიმბიოზური ერთუჯრედიანი წყალმცენარეები. **4.** სიმბიოზური სპიროქეტები, რ-ებიც ბინადრობენ პიტული შოლტოსნის Devescovina elongata-ს ზედაპირზე. შოლტოსნის მოძრაობა სპიროქეტას მოძრაობაზეა დამოკიდებული; **5.** ხოჭო Sitodrepa panicea-ს ნაწლავი: **5ა.** გამონაბურცები, რ-ებზედაც ბინადრობენ სიმბიოზური საფუვრები (ნაჩვენებია ისრებით); **5ბ.** ნაწლავის ჭრილის ნაწილი კროსკოპის ქვეშ). მოჩანს სიმბიოზური საფუვრებით ამოვსებული (ნაჩვენებია ისრებით) და უსაფუვრო უჯრედები; **6.** კიბო-განდეგილი Pagurroser და აქტინია Calliactis parasitica; **7.** პოლოთურია და მის ნაწლავში მობინადრე თევზი Fierasfer-ის გვარისა; **8.** რვასხივიანი მარჯნის პოლიპი Virgularia-ს გვარისა და მათ კოლონიაზე მობინადრე სიმბიოზური ცხრაფეხები (Porcellonella picta).

ედვით — ორგ., მინერ. და ბაქტერიული; გრონ. დანიშნულების მიხედვით — პირ-აპირი (ნიადაგში შეაქვთ უშუალოდ მცენარის საკვებად) და არაპირდაპირი (ნიადაგში შეტანილი ს. აუმჯობესებს მცენარის კვების პირობებს); სტრუქტურის მიხედვით — მარტივი ანუ ცალხმრივი (ს. შეიცავს ერთ რომელიმე საკვებ ელემენტს), რთული ს. (შეიცავს ორ ან რამდენიმე საკვებ ელემენტს, თუ ისინი ქიმ. შეაერთის სახითაა) და შერეული, როცა ს. ექან. ნაზავია.

ს-ების გამოყენების ტექ-იკა ითვალისწინებს მეურნეობისათვის -ის საჭირო რაოდენობის გაანგარიშებას, იღებული ს-ის გადატანას საწყობიდან ეურნეობაში, მის შენახვასა და მოვლას, ას.-სამ. სავარგულების განოყიერების ეგმის შედგენას და თითოეულისათვის ს-ის აჭირო რაოდენობის გაანგარიშებას მოქედი აგროწესების მიხედვით, ნაკვეთზე ის მიზიდვას და ნიადაგში შეტანას განაზღვრულ დოზით. არსებობს ს-ის შეტა-ის ვადისა და გამოყენების 3 წესი: ძირი-ადი განოყიერება, თესვის (ან დარგვის) როს განოყიერება და დამატებითი განო-იერება ანუ გამოკვება. ძირითადი ანოყიერება ითვალისწინებს ს-ის ეტანას თესვამდე (დარგვამდე) ნიადაგის ირითადი ან თესვისწინა დამუშავების როს. ძირითადი დამუშავებისას უმთავ-ესად ორგ., ფოსფორიან და კალიუმიან -ებს იყენებენ, ხოლო აზოტის, კულტივა-იისა და ფარცხვის დროს — აზოტიან და ოსფორიან ს-ებს. თესვის დროს ანოყიერება გულისხმობს მცენარის საკ-ებით უზრუნველყოფას ზრდის პირველ აზაში (შეაქვთ მარცვლისებრი სუპერ-ოსფატი, ზოგჯერ აზოტიანი სასუქიც) ამატებით განოყიერებას ანუ გამოკვებას მიმართავენ რდის პერიოდში საკვებზე მცენარის ოთხოვნილების მიხედვით, რაც წინასწა-აა შესწავლილი და დადგენილი. როცა ენარეზე ასხურებენ ან აფრქვევენ ს-ს, ს მცენარის ფესვგარეშე გამოკვება ჰქვია. ს. ნიადაგში 2 წესით შეაქვთ: ფართო-ის ზედაპირზე განაწილებით ანუ მთლი-ი, თანაბარი მობნევით და ნიადაგში შე-ანით. ს-ის ეფექტიანობა დამოკიდებუ-ია სას.-სამ. კულტურის ბიოლ. თავისე-ურებაზე, ნიადაგში საკვები ელემენტების ემცველობაზე, ტენიანობაზე, ხსნარის ეაქციაზე და სხვ. სარწყავ მიწებზე ს-ის ოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე ურწყავ-ე. 1 ჰა ნათესის ს-ით უზრუნველყოფის ონე ინტენს. მიწათმოქმედების ერთ-ერთი ირითადი მაჩვენებელია.

რევოლუციამდელ რუსეთში სას.-სამ. ულტურებს უფრო ნაკელით ანოყიე-ებდნენ, მინერ. ს.-ს მცირე რაოდენობით ენებდნენ. ოქტ. რევ. შემდეგ დიდი ყუ-ადღება მიექცა ს-ის წარმოების განვი-არებას. 1918 შეიქმნა ს-ების მთავარი იმიტეტი. 1919 ვ. ი. ლენინმა ხელი მოა-ერა დოკუმენტს — „სასუქების გადაზიდვა ჯინიგზის ტრანსპორტით", სადაც ს. რანსპორტის მხრივ გათანაბრებული იყო ერთან და ითვლებოდა როგორც პირველი ტეგორიის ტვირთი. 30-იანი წლებიდან ბრდება ქიმ. მრეწვ. და მ. შ. მინერ. ს-ის არმოება. აშენდა ბერეზნიკის აზოტის ნა, ნოვომოსკოვსკის, ვოსკრესენსკის ქიმ., ელიკამსკის კალიუმიანი ს-ების, რუსთა-ს აზოტიანი ს-ების და სხვ. კომბინა-ები.

ს-ებს, მათ მოქმედებას ნიადაგსა და ენარეში მიმდინარე ქიმ. პროცესებზე, რეთვე მოსავლიანობაზე იკვლევს აგ-*ოქიმია*. სსრკ-ში შექმნილია *აგროქიმი-ური სამსახური* თავისი ზონალური აგრო-იმ. ლაბორატორიების ქსელით. ს-ებზე მეცნ.-კვლ. სამუშაოები ტარდება მრა-ელ სამეცნ.-კვლ. და სასწ. ინ-ტში, აგრო-იმ. და ნიადაგთმცოდნეობის კათედრებზე, ცდელ სადგურებში. სხვადასხვა ბუნებ-რივ-კლიმ. ზონისათვის შექმნილია აგრო-ქიმ. კარტოგრამები (იხ. *კარტოგრამა აგ-როქიმიური*).

ლიტ.: მ ე ნ ა ღ ა რ ი შ ვ ი ლ ი ა., აგ-როქიმია, თბ., 1966; სასუქების ცნობარი აგ-როქიმიკოსებისათვის, თბ., 1983; П р я-нишников Д. Н., Избр. соч., т. 1—3, М., 1965.

ა. მენაღარიშვილი.

სასუქშესატანი მანქანა, მანქანა, რ-იც მინდვრის ზედაპირზე თანაბრად ანაწილებს ორგანულსა და მინერალურ სასუქებს, აგრეთვე მოშბამულ მისატყუარს. ორგ. სასუქების შესატანი მანქანებია ნაკელსაფანტავები და წუწუხმოსაღვრელები. ნაკელსაფანტავი (ნახ. 1) სატრაქტორო მისაბმელია ან ძარა (თვითმავალ შასიზე დამონტაჟებული), რ-საც აქვს ძარას ფსკერზე მოძრავი ხვეტია ან თამასებიანი ტრანსპორტიორი და მფანტავი სამუშაო ორგანოები (უმთავრესად ნიჩბებიანი დოლები). ორგ. სასუქს (ნაკელს, ტორფს, კომპოსტს) ტვირთავენ ს. მ-ის ძარაში, აგრეგატის მოძრაობის დროს ტრანსპორტიორი სასუქს გადააადგილებს მფანტავი დოლებისაკენ საიდანაც ის მინდორზე გადმოიყრება. გაფანტული ნაკელის რაოდენობას არეგულირებენ ტრანსპორტიორისა და ტრაქტორის მოძრაობის სიჩქარის შეცვლით. ს. მ-ის სამუშაო ორგანოებს ამოძრავებს ტრაქტორის სიმძლავრის წასართმევი ლილეი. მინერ. სასუქების შესატან მანქანას (ნახ. 2) აქვს ძარა, გამომთესი თეფშები ან ჯაჭვთამასოვანი ტრანსპორტიორი (სასუქის გასაფანტავად), ჯაჭვთამასოვანი ტრანსპორტიორი (მფანტავი მოწყობილობისათვის ნაკელის მისაწოდებლად), მადოზირებელი და ქარსაფარი მოწყობილობები. სამუშაო ორგანოებს ამუშავებს ტრაქტორის სიმძლავრის წასართმევი ლილეი. სასუქის შეტანის ნორმას არეგულირებენ ტრანსპორტიორისა და ტრაქტორის მოძრაობის სიჩქარისა და ძარას ფსკერსა და მადოზირებელ საფარს შორის ღრეჩოს შეცვლით.

მოშბამული მისატყუარის მოსაბნევი მანქანის ძირითადი ორგანოებია, მოშბ[illegible]ული მისატყუარის ბუნკერი და დოზატორ[illegible]ოვანი მადოზირებელი დოლითურთ. [illegible]იდან მისატყუარი თვითდენით ხვდება დოზატორში და ავსებს დოლის უჯრედებს, საიდანაც იყრება დაქანებულ დაფაზე, შემდეგ კი მინდორზე. ასეთ ს. მ-ს ჰკიდებენ გაზ-53 ტიპის სატვირთო ავტომობილზე ან სატრაქტორო მისაბმელზე.

ლიტ.: Комаристов В. Е., Дунай Н. Ф., Сельскохозяйственные машины, 2 изд., М., 1976.

სასქელეგელი, *შესქელების* პროცესის ჩასატარებელი აპარატი ან მოწყობილობა. მოქმედების პრინციპის მიხედვით ს. არის გრავიტაციული, ინერციული და ფილტრაციული. გრავიტაციული ს-ის მოქმედება ემყარება სითხეში ისეთი მყარი ნაწილაკების დალექვას, რ-თა სიმკვრივეც მეტია სითხის სიმკვრივეზე. გავრცელებულია რადიალური სახვეტებიანი ს. (რადიალური სალექარი), რ-იც წარმოადგენს ცილინდრულ რეზერვუარს. მის ღერძზე დამონტაჟებულია სუსპენზიის მისაწოდებელი ძაბრი. რეზერვუარის კონუსურ ფსკერზე დალექილ მყარ ნაწილაკებს ხვეტს მბრუნავი სახვეტები ფსკერის ცენტრში გაკეთებული ხვრელისაკენ, საიდანაც შესქელებულ სუსპენზიას ამოტუმბავენ. რადიალურ ს-ს იყენებენ ქიმ. და სამთომამდიდრებელ წარმოებებში, ჰიდრომეტალურგიაში, აგრეთვე ჩამდინარე წყლების გასაწმენდად. ამ სახის ს-ის ღირსებაა შესქელების მაღალი ხარისხი, ნაკლი კი — რეზერვუარის დიდი ზომები. შედარებით ნაკლები გაბარიტისაა გრავიტაციული ს., რ-იც პულპის სათანადო სიჩქარით მოძრაობის დროს ჰორიზ. ან დახრილი ნაკადებიდან გამოყოფს მყარ ნაწილაკებს. ინერციული ს-ებიდან გაერცელებულია *ჰიდროციკლონები*, რ-ებსაც იყენებენ ქვიშის, ნახშირის წვრილმანისა და სხვა მსგავსი მასალის შემცველი პულპის შესასქელებლად. ფილტრაციულ ს-ში სუსპენზიას შესასქელებლად მფილტრავი ზედაპირის საშუალებით მოსცილდება სითხის ნაწილი. ფილტრაციულ ს-ს იყენებენ მყარი ნაწილაკების ნებისმიერი სიმკვრივის სისტემის შესასქელებლად, მ. შ. ცელულოზის, ქაღალდის მასისა და სხვ. ასეთი ს-ით სუსპენზიის კონცენტრაცია შეიძლება გადიდდეს 0,2-იდან 40%-მდე (მასის მიხედვით).


სასქესო ორგანოები, გამრავლების ორგანოები, ორგანიზმის ნაწილები, რ-ებითაც ხორციელდება *სქესობრივი გამრავლება*.

ცხოველების ს. ო-ია *გონადები*, სასქესო გზები, ე.წ. დამატებითი ნაწილები და საკოპულაციო ორგანოები. სქესგაყოფილ ორგანიზმებში ს.ო-ს განასხვავებენ ერთმანეთისაგან მდედრობით და მამრობით ცალეულებს და ე. წ. *პირველად სასქესო ნიშნებს* შეადგენენ (შდრ. *მეორეული სასქესო ნიშნები*). გონადებში წარმოიქმნება სასქესო უჯრედები ანუ *გამეტები*. მდედრობით გონადას *საკვერცხე* ჰქვია, მამრობითს — *სათესლე*; ჰერმაფროდიტ ორგანიზმებს ერთდროულად აქვთ ორივე სქესის გონადა ან ერთიანი ჰერმაფროდიტული გონადა, სადაც წარმოიქმნება კვერცხუჯრედებიც და სპერმატოზოიდებიც. გონადებში წარმოქმნილი სასქესო პროდუქტები გამოდის სხვადასხვა წარმოშობისა და აგებულების სასქესო გზებით (ზოგი სახეობის ცხოველს სასქესო გზები სულაც არა აქვს) ანუ გონოდუქტებით (*კვერცხსავალით* ან თესლსავალით). კვერცხსავალის ცალკეული უბნები ხშირად იქცევა *საშვილოსნოდ, საშოდ* და სხვ. ს. ო-ის ნაწილი (ე. წ. დამატებითი ს. ო.) ემსახურება სქესობრივი გამრავლების წარმატებით განხორციელებას (სხვადასხვა თესლმიმღები, საჩეკი კამერა და მისთ. დედლებში; სათესლე პარკები, საკოპულაციო ორგანოები და მისთ. მამლებში და ა. შ.).

ს. ო. წარმოშობით წყვილადი და მეტამერიულია (იხ. *მეტამერია*), მაგრამ უფრო ხშირად ოლიგომერიზაციის შედეგად ძლიერაა რედუცირებული (ერთ წყვილამდე) და მეტამერიაც დაკარგულია; ზოგჯერ წყვილ-წყვილად შეზრდის ან თითო ცალის რედუქციის გამო ს. ო. კენტი ან ასიმეტრიული ხდება. ზოგჯერ, პირიქით, *პოლიმერიზაციის* გზით ს. ო-ის რაოდენობა ძლიერ იმატებს (განსაკუთრებით *პარაზიტიზმის* დროს). ხშირად ს. ო. მეტ-ნაკლებად მჭიდროდაა დაკავშირებული გამომყოფი სისტემის სადინარებთან და ამიტომაც ერთიანი შარდ-სასქესო ანუ უროგენიტალური სისტემის ნაწილს შეადგენენ.

ლიტ.: Беклемишев В. Н., Основы сравнительной анатомии беспозвоночных, 3 изд., т. 2, М., 1964.

ლ. ნათაძე.




სასუქშესატანი მანქანა. ნახ. 1. ნაკელსაფანტავი: 1—ჩარჩო; 2—საგალი ნაწილი; 3—ხვეტია ტრანსპორტიორი; 4—მფანტავი ნიჩბებიანი სამუშაო ორგანო; 5—ძარა.


სასუქშესატანი მანქანა. ნახ. 2. მინერალური სასუქების საფანტავი: 1—შასი; 2—ძარა; 3—მთავარი რედუქტორი; 4—მფანტავი მოწყობილობა; 5—ჯაჭვთამასოვანი ტრანსპორტიორი; 6 — მინერალური სასუქების მაცალკევებელი; 7—მადოზირებელი მოწყობილობა; 8—ქარსაფარი მოწყობილობა.



სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი იაკ—52.



სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი იაკ—30.



სასწორი. ნახ. 1. ძველეგვიპტური ბერკეტული სასწორი (საწონებს ცხოველების ფორმას ანიჭებდნენ).

ადამიანის ს. ო-ს განეკუთვნება სასქესო ჯირკვლები—გონადები (სათესლე, საკვერცხე), სასქესო სადინარები (თესლის გამომტანი სადინარი და კვერცხსავალი) სქესობრივი შეულლებისა (კოპულაციის) და დამატებითი ორგანოები. მამაკაცის ს. ო-ია სათესლე პარკში მოთავსებული წყვილი სათესლე, დანამატები, თესლის გამომტანი სადინარები, სათესლე ბუშტუკები, ბოლქვ-ბარძაყდენის ჯირკვლები, ენები *წინამდებარე ჯირკვალი* და ასო. სათესლეში გამომუშავებული სპერმატოზოიდები გადადიან დანამატში, სადაც გრძელდება მათი მომწიფება, შემდეგ — თესლის გამომტან სადინარში, რ-იც მენჯის ღრუში უერთდება სათესლე ბუშტუკების ე. წ. საწრეტ სადინარს და წარმოიქმნება მწბეფაცი სადინარი, რ-იც შარდსადენის წინამდებარე ნაწილში იხსნება და ასოთი გამოდის გარეთ. ასო ატარებს როგორც შარდს, ისე თესლს, იგი შედგება განსაკუთრებული მღვიმოვანი და ღრუბლისებრი ქსოვილისაგან. ქალის შინაგანი ს. ო-ია წყვილი საკვერცხე, კვერცხსავლები, *საშვილოსნო* და *საშო*; გარეთა ს. ო-ა საშოს კარიბჭე, დიდი და მცირე სასირცხო ბაგეები, კარიბჭის ბოლქვები, კარიბჭის დიდი ჯირკვლები, სავნებო ანუ კლიტორი და საქალწულო აპკი.

ზ. კაციტაძე.

მცენარის ს. ო. უმდაბლეს მცენარეთა უმეტესობის ს. ო. ერთუჯრედიანია, უმაღლესი მცენარეებისა კი მრავალუჯრედიანია და აქვს კედელი, რ-იც სტერილური უჯრედებისაგან შედგება. იზოგამიური მცენარეების უმეტესობის ს. ო. სხვა უჯრედებისაგან არ განსხვავდება, ზოგიერთისა — რამდენადმე დიდია, იშიათად კი მრავალუჯრედიანია. ოოგამიურ მცენარეთა მამრობითი ს. ო-ია (იხ. *ოოგამია*) ანთერიდიუმი, მდედრობითი — ოოგონიუმი, კარპოგონი, არქეგონიუმი. ანთერიდიუმში ყალიბდება სპერმატოზოიდები ან უშოლტო სპერმაციები, მდედრობითში — კვერცხუჯრედი. ოოგონიუმები ერთ- ან მრავალუჯრედიანია. კოლბისებურ ორუჯრედიან კარპოგონს აქვს კვერცხუჯრედის შემცველი მუცელი და ვიწრო გრძელი ტრიქოგინები, რ-ებიც სპერმაციებს იჭერენ. არქეგონიუმის მუცლის ნაწილში კვერცხუჯრედია, ზედა ნაწილი კი შედგება მუცლის ყელისა და ყელის მილის უჯრედებისაგან. ჩანთიანი სოკოების უმეტესობაში განაყოფიერებისას ანთერიდიუმის მრავალბირთვიანი პროტოპლასტი ტრიქოგინით (არქიკარპიუმის ზედა ნაწილი) გადაიღვრება არქიკარპიუმის ბაზალურ ნაწილში — ასკოგონში და უერთდება მის მრავალბირთვიან პროტოპლასტს (გამეტანგიოგამია). ევოლუციის პროცესში თესლოვანმა მცენარეებმა დაკარგეს მამრობითი სასქესო ორგანო, ხოლო ფარულთესლოვანებმა და ზოგმა შიშველთესლოვანმა (ვნეტუმი, ველვიჩია) — მდედრობითიც. მამრობითი სასქესო უჯრედები — უშოლტო სპერმიები — წარმოიქმნება მამრობით გამეტოფიტში — მტვრის მარცვალში, ხოლო კვერცხუჯრედები — მდედრობით გამეტოფიტში — ჩანასახის პარკში (ფარულთესლოვნებში) ან პირველად ენდოსპერმში (შიშველთესლოვნებში.).

გ. ლეკალაძე.

სასქესო უჯრედები, იგივეა, რაც *გამეტები*.

სასქესო ქრომოსომები, ცალსქესიან ორგანიზმთა *ქრომოსომების* კომპლექტის სპეციალური წყვილი, რ-შიც ლოკალიზებულია სქესის განმსაზღვრელი *გენები*. ს. ძ. გარეგნობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ერთი, *X*-ქრომოსომა, უფრო დიდია და ყოველთვის შეიცავს მდედრობითი სქესის ფაქტორებს, მეორე, *Y*-ქრომოსომა, უფრო პატარაა. მამრობითი სქესის ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც *Y*-ქრომოსომაში (მაგ., ძუძუმწოვრები, ადამიანი), ისე ჩვეულებრივ ქრომოსომაში — აუტოსომაში (მაგ., დროზოფილა). სახეობებს, რ-თა მამრობითი სქესი ავტოსომებითაა განსაზღვრული, ხშირად *Y* ს. ძ. არცა აქვთ. ჩვეულებრივ მდედრს აქვს ორი ერთნაირი (ტიპი *XX*), მამრს კი ორი განსხვავებული (ტიპი *XY*) ან ერთი (ტიპი *XO*) ს. ძ. ვინაიდან მდედრის უჯრედები შეიცავენ ორ *X* ქრომოსომას, *მეიოზის* შედეგად ყველა კვერცხუჯრედში თითო *X* ქრომოსომა აღმოჩნდება (ჰომოგამეტური სქესი); მამრს კი, რ-საც *XY* ს. ძ. აქვს, უჩნდება ორი ტიპის სპერმატოზოიდები: მათი ერთი ნაწილი იქნება *X*-ქრომოსომიანი, მეორე კი—*Y*-ქრომოსომიანი (ჰეტეროგამეტური სქესი). სასქესო უჯრედების (*გამეტების*) შერწყმისას თანაბარი რაოდენობით წარმოიქმნება მდედრი (*XX*) და მამრი (*XY*) ინდივიდები. ჰეპლებში, ფრინველებში, ზოგიერთ ქვეწარმავლებსა და ამფიბიებში საპირისპირო მოვლენას ვხვდებით. მამრი ჰომოგამეტურია (აქვთ *XX* ს. ძ.), მდედრი კი—ჰეტეროგამეტური (აქვთ *XY*-ს. ძ.). სქესის ფაქტორების გარდა ს. ძ-ში ლოკალიზებულია გენები (*X*-ქრომოსომაში ბევრი, *Y*-ქრომოსომაში — ცოტა), რ-ებიც სხვადასხვა ნიშანს განსაზღვრავენ. მათ სქესთან შეჭიდული ნიშნები ეწოდებათ, რადგანაც მათი მემკვიდრეობა სქესის მემკვიდრეობასთანაა დაკავშირებული (მაგ., ადამიანის რეცესიული გენი *ჰემოფილიისა* და *ალბინიზმისა*). ს. ძ-ის ნორმალური რაოდენობიდან გადახრა ადამიანის უჯრედებში იწვევს განვითარების დარღვევას. ს. ძ. აღმოჩენილია ორსახლიან მცენარეებში (მაგ., მარწყვში). ჰერმაფროდიტი ცხოველებისა და ერთსახლიანი მცენარეების ს. ძ. ცნობილი არ არის (იხ. *სქესი, მემკვიდრულობა*).

ა. შათირიშვილი.

სასქესო ციკლი, გამრავლებასთან დაკავშირებული მორფო-ფიზიოლოგიური პროცესები, რ-ებიც პერიოდულად მეორდება სქესობრივად მომწიფებულ დედალ ცხოველში. ზოგ ცხოველს მხოლოდ ერთი ს. ც. ახასიათებს (გამრავლების მონოციკლური ტიპი), ზოგს — რამდენიმე (პოლიციკლური ტიპი). ყველაზე მარტივი ს. ც. (უხერხემლოთა უმრავლესობა, თევზები, ამფიბიები და ქვეწარმავლები) შედგება მხოლოდ ერთი, ე. წ. ფოლიკულური სტადიისაგან, რ-ის დროსაც კვერცხი იზრდება, მწიფდება და გარეთ გამოიყოფა. ფრინველების ს. ც-ში გამოიყოფა 3 სტადია: ფოლიკულური ანუ ზრდის, მომწიფებისა და კვერცხების ოვულაციის, კრუხობის, ბარძყების გამოკვების. ძუძუმწოვრების ს. ც. უფრო რთულია და გამოიყოფა 4 სტადია: ფოლიკულური, რ-ის დროსაც ჰიპოფიზის წინა წილის ჰორმონის — ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონის (ფმჰ) გავლენით საკვერცხეში იზრდება ფოლიკულები; ისინი გამოყოფენ მდედრის სისხლში ესტროგენულ ჰორმონს, რ-იც მოქმედებს ცენტრ. ნერვულ სისტემაზე და იწვევს სქესობრივ აგზნებას (მძუნაობა). ჰიპოფიზის წინა წილი გამოყოფს მალუტეინიზებელ ჰორმონს, რ-იც ფმჰ-თან ერთად უზრუნველყოფს ფოლიკულების ზრდის დამთავრებას და *ოვულაციას*. განთავისუფლებული კვერცხუჯრედი ხვდება კვერცხსავალში, სადაც შეიძლება მოხდეს *განაყოფიერება*, და შემდეგ გადადის საშვილოსნოში. ოვულაციის შემდეგ იწყება მე-2 (ლუტეინური) ანუ ყვითელი სხეულის სტადია; განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოს კედელში იმპლანტაციის შემდეგ კი იწყება მე-3 — *ორსულობის* სტადია, რ-საც მოსდევს მე-4 — *ლაქტაციის* სტადია. იმ შემთხვევაში, თუ განაყოფიერება არ მოხდება, ს. ც. მხოლოდ 2 სტადიისაგან შედგება და გამოიყოფა რამდენიმე ფაზა: პროესტრუსი, ესტრუსი, მეტაესტრუსი და დიესტრუსი, მ. შ. პირველი 2 შეესაბამება ფოლიკულურ სტადიას, ბოლო 2 კი — მალუტეინებელ სტადიას.

ქალის ს. ც-ს *მენსტრუალურ ციკლს* უწოდებენ. იხ. აგრეთვე *სასქესო ჰორმონები*.

სასქესო ჯირკვლები, *გონადები*, სათესლეთა და საკვერცხეთა ორგანოებისა, რ-ებშიც ვითარდება და ყალიბდება *გამეტები*. ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების ს. ჯ. შეიცავს *ჰორმონების* წარმომქმნელ ელემენტებსაც (იხ. *სასქესო ჰორმონები*), მაგრამ რამდენადაც გონადების მთავარი ფუნქცია *სეკრეცია* არ არის, სახელწ. „ს. ჯ." უმართებულოა.

სასქესო ჰორმონები, სტეროიდული ჰორმონები, რ-ებიც წარმოიქმნებიან სასქესო ჯირკვლებში და არეგულირებენ სასქესო დიფერენციაციას და სქესობრივ გამრავლებას ხერხემლიან ცხოველებსა და ადამიანში. თუმცა თვით სქესი გენეტიკურადაა განსაზღვრული, ეს პროცესები მაინც რეგულირდება რთული, ურთიერთდაკავშირებული სისტემით. ძუძუმწოვრების ამ სისტემაში ს. ჰ-ის გარდა მონაწილეობენ ჰიპოფიზში გამომუშავებული *გონადოტროპული ჰორმონები* და ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი, პლაცენტის მიერ გამომუშავებული ქორიონული გონადოტროპული ჰორმონი, ქსოვილებში გამომუშავებული პროსტაგლანდინები. მამრობითი ს. ჰ. (*ანდროგენები*) წარმოიქმნება სათესლეების ინტერსტიციალურ ქსოვილებში, ძირითადი ჰორმონია *ტესტოსტერონი*. მდედრობითი ს. ჰ-ის — *ესტროგენებისა* და *გესტაგენების* — სინთეზი ხდება საკვერცხეებში. ს. ჰ-ის ნაწილი წარმოიქმნება *თირკმელზედა ჯირკვლის* ქერქოვან ნაწილში, ხოლო ორსულობის პერიოდში — პლაცენტაში. ესტროგენები წარმოიქმნება მამრებშიც, ხოლო ანდროგენები — მდედრებშიც. ამიტომაც სასქესო ნიშან-თვისებების დიფერენცირება დამოკიდებულია პირველ რიგში ამა თუ იმ ტიპის ს. ჰ-ის შეფარდებაზე. სტეროიდული ს. ჰ-ის ბიოსინთეზი ძირითადად ხორციელდება *ქოლესტერინიდან*. ს. ჰ-ის ბიოსინთეზს არეგულირებს ჰიპოფიზის ლუტეოტროპული ჰორმონი (ლჰ) და ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონები (ფმჰ). თვითონ ს. ჰ. კი არეგულირებენ ლჰ-ის და ფმჰ-ის წარმოქმნას ჰიპოფიზში უკუკავშირის პრინციპის მიხედვით. სქესობრივი სიმწიფის დროს სასქესო ჯირკვლების ს. ჰ-ის ინტენს. ბიოსინთეზი, როგორც ჩანს, განპირობებულია ჰიპოთალამუსის მგრძნობიარობის გაზრდით ს. ჰ-ისადმი. ორის გამოც მკვეთრად მატულობს სპეციფიკური პეპტიდების წარმოქმნა, რ-ებიც სტიმულირებენ აძლევენ ჰიპოფიზის ლჰ-ისა და ფმჰ-ის სეკრეციას.

ზრდასრულ ორგანიზმში ს. ჰ. უზრუნველყოფენ რეპროდუქციულ ფუნქციას. სტეროიდული ს. ჰ. აკონტროლებენ *მეორეული სასქესო ნიშნების* განვითარებას.

ზრდასრულ მამაკაცებში ანდროგენების სეკრეცია თანაბრად მიმდინარეობს, ხოლო ქალების ესტროგენების და გესტაგენების სეკრეცია მერყეობს *სასქესო ციკლის* განმავლობაში. მდედრობითი ს. ჰ-ის ბიოსინთეზი მკვეთრად მატულობს ორსულობის პერიოდში, როდესაც მათი წარმოქმნა პლაცენტაშიაც ხდება. ს. ჰ-ის მოქმედების ბიოქიმ. მექანიზმი მდგომარეობა მათზე დამოკიდებული ქსოვილების სპეციფ. რეცეპტორებთან შეკავშირებასა და სათანადო ფერმენტების ბიოსინთეზის ინტენსივირებაში. ს. ჰ. არა მარტო რეპროდუქტიულ სისტემებზე მოქმედებენ. მედიცინაში მათ იყენებენ ენდოკრინული დაავადებების, სხვადასხვა მეან-გინეკოლ. დაავადებების მკურნალობის დროს, სინის საწინააღმდეგო საშუალებად სარძევე და პროსტატული ჯირკვლების დაავადებისას, ხშირად იყენებენ ს. ჰ-ის ქიმ. მოდიფიცირებულ საშუალებებს. ს. ჰ-ის ანალოგებს ვხვდებით უმდაბლეს ორგანიზმებ

იც, სადაც ისინი სტიმულს აძლევენ გამ-
ავლების პროცესებს. *ნ. ნუცუბიძე.*

ისცენო მეტყველება, თეატრში, ესტ-
დაზე სცენური სახის შექმნის ერთ-ერთი
იშვნელოვანი საშუალება. ს. მ. ორგვა-
ა: სასაუბრო-ყოფითი მეტყველება და მხატვ-
ული კითხვა. მსახიობის მეტყველება
ენური სახის შესაბამისად იცვლება. მხატ-
ული კითხვის თავისებურება კი ის არის,
იმ მსახიობი, რ-საც ძველად დეკლამა-
ორი ერქვა, ურთიერთობას ამყარებს უშუ-
ოდ აუდიტორიასთან და არა პარტნი-
ორთან, როგორც ეს სპექტაკლის დროს
ხდება. ს. მ-ის სტილი და ხასიათი თეატ-
ის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვა-
სხვაგვარი იყო. ანტ. ეპოქაში გრანდი-
ოზულმა თეატრ. არქიტექტურამ განაპი-
ობა ელინისტური კლასიკ. დეკლამაცი-
თავისებური ხასიათი. XVII—XVIII სს.
ეასიციზმტურ თეატრში დამკვიდრდა წმა-
ერებული, ამაღლებული სტილი და ა. შ.
ნამედროვე რეალისტურ ს. მ-ს რუსეთ-
საფუძველი ჩაუყარა მცირე თეატრის
სახიობმა მ. შჩეპკინმა. ს. მ-ის ან. ერა
XX ს.) დაკავშირებულია კ. სტანისლავ-
ის შემოქმედებასთან. ქართ. სცენაზე
მ-ის კულტურის ამაღლებაში დიდი
აწლი მიუძღვით მსახიობებს: ვ. აბაში-
ს, ლ. მესხიშვილს, ნ. გაბუნიას, ა. იმე-
შვილს, ნ. ჩხეიძეს, ა. ხორავას, ა. ვასა-
ს, ვ. გოძიაშვილს, ს. ზაქარიაძეს, ვ.
ჯაფარიძეს, ს. თაყაიშვილს, გ. საღარა-
ს და სხვ. ს. მ-ის ტექნიკა ერთ-ერთი
ნიშვნელოვანესი დისციპლინაა, რ-საც
ვალიან სსრკ თეატრ. ინ-ტებსა და სკო-
ებში. *ბ. ნიკოლაიშვილი.*

სცენო მოქმედება, ერთ-ერთი ძი-
თადი გამომსახველობითი საშუალება
სახიობო ხელოვნებაში. სცენაზე მხატვ-
ლ სახეს მსახიობი ქმნის მოქმედებით,
იც გადაგვიშლის პერსონაჟის ზრახვებს,
ს სულიერ ძრაობას. დრამ. მსახიობის ხე-
ოვნებაში დიდი ადგილი უჭირავს აგრე-
ე მაყურებლისა და პარტნიორისადმი
მართულ სიტყვას ან სიტყვიერ მოქმე-
ბას.

სცენო ცეკვა, ცეკვის ერთ-ერთი ძი-
თადი სახე. აღმოცენდა ხალხ. ცეკვი-
ნ საცეკვაო ხელოვნების პროფესიო-
ლიზაციის პროცესში. ევროპაში წარ-
იშვა ანტ. ხანაში(ძვ. წ. IV—II სს.).
ც-ის ადრეული ფორმები გვხვდება
ა საუკუნეებში (ჟონგლიორთა, შპილ-
თა, სკომოროხთა და სხვ. ცეკვების
ით). XIV — XV სს-ში გაჩნდნენ მო-
სკიორები (სიუჟეტური საცეკვაო სცენე-
ს — მორესკების შემსრულებლები). XVI
დასაწყ. — XVII ს-ში გაჩნდა ს. ც-ის
ფორმა — ფიგურული (გამომსახველი)
ვა (ბალო ფიგურატო — იტალიაში,
ლე — საფრანგეთში, ბაილე — ესპანეთ-
). საცეკვაო სპექტაკლების შექმნასთან
თად (იხ. *ბალეტი*) ჩამოყალიბდა ს.
ის თანამედროვე ფორმები — კლასი-
რი ცეკვა, სახასიათო ცეკვა. XX ს. ევ-
პასა და აშშ-ში გავრცელდა ცეკვა „მო-
რნი", რ-იც აერთიანებს პლასტ., რიტ-
ლი, რიტმოპლასტ. და სხვ. ცეკვების
ემენტებს. აზიის ქვეყნებში, სადაც
ვამ უფრო ადრე მიაღწია მაღალ პრო-
სიონალიზმს, აგრეთვე ჩრდ., ცენტრ.
სამხრ. ამერ. ხალხებში (მაია, ინკები
სხვ.) შეიქმნა ს. ც-ის საკუთარი სისტე-
ი.

სწავლო-აღმზრდელობითი პროცე-
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაო-
ს ორგანიზაციის ერთიანი სისტემა, რ-ის
მუშველია *აღზრდის, სწავლებისა* და
ათლების ორგ. ერთიანობისა და ურ-
ერთკავშირის რეალიზაცია დასახულ
ანთა მისაღწევად.

ს.-ა. პ. განისაზღვრება *სასწავლო*
გმით, სასწავლო პროგრამით, აღმზრდე-
ობითი მუშაობის გეგმით. მასში შედის
ავლების ორგანიზაციის ფორმები
კვეთილი, ლექცია, სემინარი, ლაბორ.
სამუშაო, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა
და სხვ.) და კლასგარეშე მუშაობა.

სასწავლო გეგმა, დოკუმენტი, რ-იც განსაზღვრავს სასწავლო დისციპლინების ფარგლებს მოცემული სასწავლო დაწესებულებისათვის, მათ განაწილებას წლების მიხედვით სწავლების მთელი ვადის განმავლობაში. როგორც წესი, შედგება 3 ნაწილისაგან: სწავლების პროცესის გრაფიკის, დროის ბიუჯეტის საერთო მონაცემებისა და სწავლების პროცესის გეგმისაგან. სსრკ-სა და სოციალ. ქვეყნებში, როგორც წესი, ერთი და იმავე ტიპის სასწ. დაწესებულებებს ერთიანი ს. გ. აქვთ. ინდივიდ. ს. გ-ის შედგენის უფლება აქვს მხოლოდ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელს. ს. გ. აისახება *სახელმძღვანელოებში*, დამხმარე თვალსაჩინოების ნიმუშებსა და *სასწავლო პროგრამებში*. კაპიტალ. ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი ს. გ.

სასწავლო პროგრამა, დოკუმენტი სწავლების სისტემაში, რ-იც განსაზღვრავს ცოდნის შინაარსსა და მოცულობას, ყოველ სასწავლო დისციპლინაში ასათვისებელ ცოდნა-ჩვევებს. ს. პ-ში სასწ. მასალა თავებად და თემებად, აგრეთვე სწავლების წლების მიხედვით არის განაწილებული. ს. პ-ის აგების პრინციპებია: თანამედროვე მეცნ., ტექ. და კულტ. მიღწევებსა და აღზრდის სოც. მიზნებთან შესაბამისობა; მემკვიდრეობითი კავშირი სასწ. მასალასა და უკვე ნასწავლს შორის, კავშირი სასწ. საგნებს შორის. ს. პ. განსაზღვრავს სწავლების შინაარსს, აისახება სახელმძღვანელოებში, დამხმარე თვალსაჩინო მასალებსა და ხელსაწყოებში, მეთოდ. მითითებებში. სსრკ-ში ერთი ტიპისა და პროფილის სასწ. დაწესებულებებსა და სპეციალობებს ერთიანი სახელმწ. ს. პ-ები აქვთ.


სასწავლო საათი, აკადემიური საათი, 1. სწავლისათვის განკუთვნილი 30—35—45—50-წუთიანი დროის მონაკვეთი სასწ. დაწესებულებებში. 2. ოდენობა სასწ. მასალის მოცულობისა, რ-იც დაგეგმილია შესასწავლად ს. ს-ის განმავლობაში. სასწ. მასალის დაგეგმვა, გეგმით გავლილი მასალის აღრიცხვა, აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის მასწავლებლის მუშაობის აღრიცხვაც ს. ს-ით ხდება.

სასწავლო საგანი, სასწავლო დისციპლინა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების პედაგოგიურად დამუშავებული სისტემა, რომელიც შერჩეულია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და საწარმოო პრაქტიკის სათანადო დარგებიდან სხვადასხვა სპეციალურ დაწესებულებაში სწავლებისათვის. ს. ს-ის შინაარსი განისაზღვრება *სასწავლო პროგრამით*.

სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი, თვითმფრინავი, რ-იც განკუთვნილია საფრენი შემადგენლობის სწავლებისა და წვრთნისათვის. პირველდაწყებითი სწავლების ს.-ს. მ-ები ორადგილიანია. ასეთი თვითმფრინავი მდგრადია, ამასთან დაბალია მისი დაჯდომის სიჩქარე (100 *კმ/სთ*-მდე). თვითმფრინავების ამ ტიპს განეკუთვნება, მაგ., იაკ-18უ (სსრკ), „ზლინტრენერი" (ჩეხოსლ. სსრ). გადიდებულია შემდგომი სწავლებისათვის განკუთვნილი თვითმფრინავების (მაგ., სსრკ-ის იაკ-52, იაკ-30; აშშ-ის T-37) საფრენი მონაცემები. ს.-ს. მ-ებად ხშირად იყენებენ *სპორტო თვითმფრინავებს*.

სასწავლო წელი, აკადემიური წელი, დრო სასწავლო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყებიდან ძირითად არდადეგებამდე. პირველად შემოიღეს დას. ევროპასა და უკრაინაში XVI ს. ბოლოს—XVII ს. დასაწყისში *სწავლების საკლასო-საგაკვეთლო სისტემის* შემოღებასთან დაკავშირებით.

სსრკ-ში, ზოგადსაგანმან. სკოლის წესდების თანახმად, ს. წ-ის დაწყება-დამთავრებისა და არდადეგების ვადებს ადგენს მოკავშირე რესპ. კანონმდებლობა ადგილ. პირობების გათვალისწინებით. ტრადიციულად (პეტრე I-ის დროიდან) ს. წ. 1 სექტ. იწყება. იგი იყოფა 4 მეოთხედად, 1980/81 სასწ. წ-იდან საქართველოში შემოღებულია სემესტრული სისტემა (სასწ.-აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვა წარმოებს 2-ჯერ, არდადეგები უცვლელი დარჩა). მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ს. წ-ის დაწყება-დამთავრების ვადები ძირითადად შეხამებულია გეოგრ. სარტყელთან (მაგ., ინდ., ავსტრალ. ზოგიერთ სასწ. დაწესებულებაში ს. წ. გრძელდება ივლ-იდან აპრილამდე და სხვ.).





სასწორი. ნახ. 2. ტოლმხარა ორთეფშიანი მიკროანალიზური სასწორი (ზღვრული დატვირთვა 20 გ): 1—მხრეული; 2—საპაერო მაწყნარებლები; 3—ჩაშენებული საწონების დასადები მექანიზმი (1-იდან 999 მგ-მდე); 4—ეკრანი ასათვალისწინებელი სკალისათვის; 5—მანიპულატორი, რომელიც სასწორის თეფშს ფანჯრიდან გამოსწევს; 6—ტიხარი, რომელიც მხრეულს იცავს ტემპერატურისა და პაერის ნაკადის ზემოქმედებისაგან; 7—რგოლის ფორმის ჩაშენებული საწონები.

სასწაული, ღვთიური, იმქვეყნიური ძალით გამოწვეული ზებუნებრივი მოვლენები რელიგიურ და მითოლოგიურ წარმოდგენებში. გადატანითი მნიშვნელობით — რაღაც განსაცვიფრებელი და არაჩვეულებრივი მოვლენა.

სასწორი, ხელსაწყო, რ-იც განსაზღვრავს სხეულთა მასას მათზე მოქმედი სიმძიმის ძალის გავლენით. ზოგჯერ ს-ს უწოდებენ ისეთ საზომ ხელსაწყოებს (მაგ., დენის ს., კულონის ს.), რ-ებითაც ზომავენ სხვა ფიზ. სიდიდეებს, ამ მიზნით ეს სიდიდეები გარდაიქმნება ძალად ან ძალის მომენტად. ს. ერთ-ერთი უძველესი ხელსაწყოა. უმარტივეს ს-ს, რ-იც შედგებოდა ტოლმხარა მხრეულისა და მასზე დაკიდებული თეფშებისაგან (ნახ. 1), ფართოდ იყენებდნენ ძვ. ბაბილონში (ძვ. წ. 2500 წ.) და ეგვიპტეში (ძვ. წ. 2000 წ.). შედარებით გვიან გაჩნდა მოძრავსაწონიანი არატოლმხარა ს.; ძვ. წ. IV ს-ში არისტოტელემ შექმნა ასეთი ს-ის თეორია (ძალთა მომენტის წესი). XII ს-ში არაბმა მეცნიერმა ალ-ხაზინიმ აღწერა თეფშებიანი სასწორი, რ-ის ცდომილება 0,1%-ს არ აღემატებოდა. ასეთ ს-ს იყენებდნენ სხვადასხვა ნივთიერების სიმკვრივის განსასაზღვრავად. 1586 გ. გალილეიმ სიმკვრივის განსასაზღვრავად შექმნა სპეც. ჰიდროსტატ. ს., 1747 ლ. ეილერმა განავითარა ს-ის ზოგადი თეორია.

მრეწვ. და ტრანსპ. განვითარებას მოჰყვა ისეთი ს-ების შექმნა, რ-ებიც დიდ დატვირთვებზე იყო გათვალისწინებული. XIX ს-ის დასაწყისში შეიქმნა ათწილადი (საწონის მასის ფარდობა დატვირთვასთან 1 : 10 — კჯინტენცი, 1818) და ასწილადი ს-ები (უ. ფერბენქსი, 1831). XIX ს. დასასრ. და XX ს-ის დასაწყისში გაჩნდა უწყვეტი აწონისათვის განკუთვნილი ს-ები (კონვეიერული, სადოზირებელი და სხვ.). სამეცნ. კვლევისათვის შექმნეს ზუსტი ს-ები (ანალიზური, მიკროანალიზური და სხვ.).





სასწორი. ნახ. 3. მაგიდის ციფერბლატიანი (სავაჭრო) სასწორი: ა—საერთო ხედი; ბ—სქემა: 1—ძირითადი ტოლმხარა ბერკეტი; 2—საყრდენი პრიზმა; 3,4—ტვირთმიმღები პრიზმები; 5,6—თეფშების აცილებელი დაგრები; 7—კვადრანტი; 8—ისარი; 9—სკალა.

დანიშნულების მიხედვით ს. არის სანიმუშო (საწონების შესამოწმებელი), ლაბორ. (მ. შ. ანალიზური) და საერთო დანიშნულებისა; მოქმედების პრინციპის მიხედვით — ბერკეტული, ზამბარიანი, ელექტროტენზომეტრული, ჰიდროსტატ., ჰიდრავლიკური.

ბერკეტული ს-ის მოქმედების

პრინციპი ემყარება ბერკეტის წონასწორობის კანონს. ბერკეტის (ს-ის „მხრეულის") საყრდენი წერტილი შეიძლება იყოს შუაში (ტოლმხარა ს.) ან შუა წერტილიდან გადანაცვლებული (არატოლმხარა და ცალმხარა ს-ები). მრავალი ბერკეტიანი ს. (მაგ., სავაჭრო, საავტ. და სხვ.) წარმოადგენს 1-ლი და მე-2 რიგის ბერკეტების კომბინაციას. ტოლმხარა ბერკეტულ ს-ზე ასაწონი სხეული წონასწორდება საწონებით, ხოლო გადაჭარბება (საერთოდ 0,05—0,1%-ით) კომპენსირდება მომენტით, რ-იც წარმოიქმნება მხრეულით (ისრიანი) პირვანდელი მდგომარეობიდან მისი სიმძიმის ცენტრის გადანაცვლების გამო.

მრავალ ბერკეტულ ლაბორ. ს-ებში გასაზომი დატვირთვის ნაწილი კომპენსირდება ელექტრომაგნ. ურთიერთქმედების ძალით. სოლენოიდში დენის ძალას არეგულირებს ელექტრონული მოწყობილობა, რ-იც აწონასწორებს ს-ს. დენის ძალის გაზომვის შემდეგ საზღვრავენ მის შესაბამის დატვირთვას. ასეთი ს. წონასწორდება ავტომატურად, ამიტომ მას იყენებენ ცვლადი მასების გასაზომად (მაგ., ჟანგვის პროცესის შესწავლისას).

ლაბორატორიებში იყენებენ ისეთ ს-ებს, რ-ებშიც საწონებიც ჩაშენებულია (ნახ. 2). სპეც. ფორმის საწონებს ჰკიდებენ მხარზე, რ-ზეც დამაგრებულია თეფში (ცალმხარა ს.) ან (უფრო ი'შვიათად) საწინააღმდეგო მხარზე. თანამედროვე ლაბორ. ს-ები აღჭურვილია აწონის სიზუსტისა და სისწრაფის გასაზრდელი ხელსაწყოებით.

ბერკეტული ს-ის პრინციპზეა აგებული უმრავლესი მეტროლოგიური, სანიმუშო, ანალიზური, სავაჭრო (ნახ. 3) საავტ., ავტომ., პორციული ს-ები.

ზამბარული და ელექტროტენზომეტრული ს-ების მოქმედების პრინციპი ემყარება *ჰუკის კანონს*. ზამბარიანი ს-ის მგრძნობიარე ელემენტია სპირალური, ბრტყელი ან ცილინდრული ზამბარა, რ-იც სხეულის წონის გავლენით დეფორმირდება. ს-ის ჩვენებას აითვლიან სკალაზე, რ-ის გასწვრივ გადაადგილდება ზამბარასთან შეერთებული ისარი. ზამბარიანი სასწორებით ზომავენ წონას და არა მასას.

გრეხითს-ში მგრძნობიარე ელემენტად გამოყენებულია დრეკადი ძაფი ან სპირალური ზამბარები. დატვირთვას საზღვრავენ ზამბარის ძაფის დაგრეხის კუთხით, რ-იც დატვირთვით წარმოქმნილი მგრეხი მომენტის პროპორციულია.

ელექტროტენზომეტრული ს-ის მოქმედების პრინციპი ემყარება იმ დრეკადი ელემენტების დეფორმაციის შედეგად წარმოქმნილ ელექტრული წინაღობის ცვლილებას, რ-ებიც ღებულობენ დატვირთვის ძალურ ზემოქმედებას.

ჰიდროსტ. ს-ს ძირითადად იყენებენ მყარი სხეულებისა და სითხეების სიმკვრივის გასაზომად. მათი მოქმედების პრინციპი ემყარება არქიმედეს კანონს (იხ. *ჰიდროსტატიკური აწონა*). ჰიდრავლ. ს. მოწყობილობით ჰიდრავ. წნევის ანალოგიურია. ჩვენებას აითვლიან მასის ერთეულებით გრადუირებული მანომეტრით.

ყველა ტიპის ს-ის მახასიათებლებია: ზღვრული დატვირთვა (უდიდესი სტატ. დატვირთვა, რ-საც უძლებს ს. მეტროლოგიური მახასიათებლების დარღვევის გარეშე); სკალის დანაყოფის სხვაობა; ცდომილების დასაშვები ზღვარი; ჩვენების დასაშვები ვარიაცია.

ლიტ.: Рудо Н. М., Весы. Теория, устройство, регулировка и поверка, М.—Л., 1957.

სასწორი (ლათ. Libra), *ზოდიაქოს ერთ-ერთი თანავარსკვლავედი*. ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეა* 2,6. დაკვირვებისათვის ყველაზე უკეთესი პირობებია აპრ.-მაისშია. ჩანს სსრკ ცენტრ. და სამხრ. რ-ნებიდან, მ. შ. საქართველოდანაც.


სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სამედიცინო დახმარების სახე და სისტემა, რ-საც მიმართავენ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო მდგომარეობის — უბედური შემთხვევის (ტრავმა, მოწამვლა) და უეცარი მწვავე დაავადების დროს. ს. ს. დ-ის ამოცანას შეადგენს სასწრაფო სამედ., მ. შ. სპეციალიზებული დახმარების გაწევა უბედური შემთხვევის ადგილზე, გზაში და ს. ს.-დ-ის საავადმყოფოში, ავადმყოფის გადაყვანა სამკურნ. დაწესებულებაში, უბედურ შემთხვევათა აღრიცხვა და ანალიზი და სხვ.

სსრკ-ში ს. ს. დ. წარმოადგენს საბჭ. ჯანდაცვის ერთიანი სისტემის რგოლს. მის ხელმისაწვდომობას განაპირობებს სპეციალიზებული დაწესებულებების ფართო ქსელი, სადისპეტჩერო სამსახურის ცენტრალიზაცია, ს. ს. დ-ის მანქანების რადიოფიკაცია, ქვესადგურების დიდი რაოდენობა, რეანიმაციული ცენტრებისა და საავადმყოფოებში ინტენს. თერაპიის განყ-ბების არსებობა და სხვ. დიდ ქ-ებში შექმნილია ს. ს. დ-ის სპეციალიზებული ბრიგადები, რ-ებიც აღჭურვილია ავადმყოფთა რეანიმაციისათვის (გულის კუნთის ინფარქტის, ინსულტის, ტრავმული შოკის და სხვ. დროს) საჭირო მოწყობილობით. სოფლად ს. ს. დ-ს უწევენ სოფლის სამკურნ. დაწესებულებათა ექიმები და ფერშლები. ს. ს. დ-ის საკითხების მეცნ. დამუშავება მიმდინარეობს სასწრაფო დახმარების სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში (სკლიფასოვსკის სახ. ინ-ტი მოსკოვში, ჯანელიძის სახ. ინ-ტი ლენინგრადში და სხვ.).

სასხლეტი სქემა, ელექტრონმილაკიანი ან ნახევარდგამტარიანი მოწყობილობა, რ-საც აქვს ერთი ან რამდენიმე მდგრადი წონასწორობის მდგომარეობა და გარკვეული გარე ზემოქმედების შედეგად შეუძლია ნახტომისებურად გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში; წონასწორობის ერთი მდგომარეობის მქონე ს. ს. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის მოკლე ამამუშავებელი იმპულსების მიწოდების დროს, ხოლო საწყის მდგომარეობას უბრუნდება სქემის შიგნით არსებული უკუკავშირის საშუალებით (მაგ., კიპ-რელე, ფანტასტრონი, მომლოდინე *მულტივიბრატორი* და სხვ.). მეტად გავრცელებულია ისეთი ს. ს., რ-საც აქვს 2 მდგრადი წონასწორობის მდგომარეობა (მაგ., *ტრიგერი*). იყენებენ ავტომატიკაში, ტელემექანიკაში, რადიოლოკაციაში და რადიოსაზომ ტექნიკაში.

სასხმელი ცხელება, პროფესიული დაავადება, რ-იც ვითარდება სხვადასხვა ლითონის (თუთია, სპილენძი, თითბერი, რკინა) ორთქლის შესუნთქვის შედეგად. დაავადებას ახასიათებს შემცივნება, ტემპ-რის აწევა (39°C-მდე), გულმკერდში ტკივილისა და მოჭრის შეგრძნება, თავბრუ, საერთო სისუსტე, მშრალი ხველა. მავნე ფაქტორთან კონტაქტის შეწყვეტისთანავე დაავადების ნიშნები ჩვეულებრივ ქრება.

სასხმოა სისტემა: ა, ბ — გვერდითი; გ — წვიმისებრი; დ — სიფონური; ე — იარუსებიანი; ვ — ხვრელური; 1 — ჯამი; 2 — მილდგარი; 3 — დროსელი; 4 — წიდასაჭერი; ნ — მკვებავი; 6 — გვერდითი ნამატი; 7 — ყელი.



სასხმოა სისტემა, არხების (ელემენტების) ერთობლიობა, საიდანაც ციცხვიდან ან სხვა საჩამომსხმელო მოწყობილობიდან გამდნარი ლითონი გადაეცემა სამსხმელო ყალიბს. ს. ს-ის დანიშნულებაა ყალიბის ავსების ოპტიმ. პირობების უზრუველყოფა, რათა მიღებულ იქნეს ისეთი მკაფიო კონტურების მქონე სხმული, რ-ში არ იქნება მიწის, წიდისა და სხვა არალითონური ჩანართები, ჩაჯდომის ნიკაპარები, სიფხვიერე, ბზარები, აირის ნიკაპარები და სხვა დეფექტები. ს. ს-ის ელემენტები დანიშნულების მიხედვით არის მიმყვანი და მკვებავი.

ს. ს-ის მიმყვანი ელემენტებია ჯამი, მილდგარი, დროსელი, წიდასაჭერი და მკვებავი (ნახ. ა). ჯამი თხევადი ლითონის მიმღებია. მილდგარი წარმოადგენს ვერტ. (ი'შვიათად დახრილ) არხს, რ-იც შეერთებულია ჯამთან, დროსელი — ვიწრო არხს, რ-იც არეგულირებს ავსების სიჩქარეს და ხელს უშლის დგარში ვაკუუმის წარმოქმნას. წიდასაჭერი დროსელის უკან გაკეთებული არხია მკვებავში ნადნობის მისაწოდებლად და არალითონური ჩანართების დასაკავებლად. მკვებავიც არხია, რ-ითაც შენადნობი ყალიბში ღერში შედის.

მიმყვანი ელემენტების ზომები ძირითადად განისაზღვრება ჰიდროდინამ. ფაქტორებით (ს. ს-ის კონსტრუქციით, დანიშნულებით, ნადნობის ხარჯითა და სიჩქარით).

ს. ს-ის მკვებავი ელემენტებია გვერდითი ნამატი და ყელი (ნახ. ა). პირველი კომპაქტური კორპუსის ზედაპირზე შენადნობის გვერდითი ზედაპირების და გამყარებისას სხმულის საკვებად, მეორე კი — ნამატის შეუღწრებული ნაწილია, რ-თაც ნამატი სხმულს უერთდება. მკვებავი ელემენტები სხმულს ნელა უნდა მყარდებოდეს.

ეტექტიკური შენადნობისაგან (მაგ., რული თუჯისაგან) თხელკედლიანი სხმულების მიღებისას სხმულის საკვებად საკმარისია მკვებავი არხი, ამიტომ საჭირო არ არის სპეც. მკვებავი ელემენტები. ს. ს. მხოლოდ მიმყვანი არხებისაგან შედგება (ნახ. ბ, გ, დ, ე). თუ საკვებად მცირე რაოდენობის შენადნობია საკმარისი, მაშინ ს-ს მიმყვან ელემენტებთან ერთად აქვს მიმყვან-მკვებავი ელემენტებიც, მაგ., წიდის საჭერი ასრულებს ნამატის როლსაც, ხოლო მკვებავი — ყელისას (ნახ. ვ).

ს. ს. არის გვერდითი, ზედა, საწვიმებელი, სიფონური, იარუსებიანი და ხვრელური. დაყალიბების ხერხის მიხედვით ს. არის პორიზონტალური (მკვებავი განლაგებულია ყალიბის გახსნის ჰორიზ. სიბრტყეში) და ვერტიკალური (მკვებავი განლაგებულია ყალიბის გახსნის ვერტ. სიბრტყეში).

სასხორი, სოფელი მცხეთის რ-ნში (ნიჩბისის სოფსაბჭო), მდ. ნიჩბისისწყლის ხ პირზე. ზ. დ. 570 *მ*, მცხეთიდან 16 კ ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 ნიჩბისის მეთესლეობის საბჭ. მეურნეობ კირის საამქრო. დაწყ. სკოლა. საშ. სკო სოფ. ქვემო ნიჩბისში (1 *კმ*). საფერშლ სამეანო პუნქტი. სოფლის განაპირას ა ცართულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძ ლი — გეგმით კვადრატული ოთხსართ ლიანი კოშკი. ნაგებია ნატეხი ქვითა კირის ხსნარით, სტილისტიკური ნიშნებ მიხედვით XVII ს-ით თარიღდება. I სა თული ყრუა; შესასვლელი II სართულზე

იგნით, სათავსების კედლებში, დაყოლებუ-ია ნიშები, სარკმლები, ბუხრები, სათო-ურები. კოშკს ფასადები სადაა, მორ-ულობის გარეშე.

ასხურებელი, მანქანა ან აპარატი, -ითაც თხევად პესტიციდებს გააფრქვევენ ვენარეებზე მავნებლებისა და დაავად-ებისაგან დასაცავად, აგრეთვე სარევე-ების გასანადგურებლად. ს-ს სათავსების ეზინსექციისთვისაც იყენებენ. ს-ებს განა-ვავებენ დანიშნულების მიხედვით (მინ-ერის კულტურების, ბაღების, ვენახების ასამუშავებელი ს-ები), გამფრქვევი მო-ყობილობების მიხედვით (ჰიდრავ., ვენ-ილატორიანი და აეროზოლური), ტრანს-ორტირების ხერხის მიხედვით (ზურგსა-ედი, ცხენის, საავიაციო, სატრაქტორო ასაბმელი და საკიდი).

ჰიდრავ. ს-ში (ნახ. 1) გამფრქვევე ბუ-კებს გადაეცემა თხევადი შხამქიმიკატი ნევის ქვეშ. ბუნიკები შხამქიმიკატს დაანა-ილებს წვეთებად და დასამუშ. ობიექტზე ააფრქვევს. ვენტილატორიან ს-ში (ნახ.) ბუნიკებით გაფრქვეული შხამქიმიკატი ასამუშ. ობიექტზე დაეფრქვევა.

ს-ის ძირითადი მექანიზმები და კვან-ება: სარევიანი რეზერვუარი, ტუმბო, ენტილატორი (ვენტილატორიან ს-ში), რანდსპოიტი ან შტანგი, წნევის რეგულა-ორი, გამფრქვევი ბუნიკები, ეჟექტორი.

ს-ში სითხის შეკუმშვის ხარისხს აკონტ-ოლებენ მანომეტრით. სატრაქტორო ს-ის უშა ორგანოებს ამუშავებს ტრაქტორის ამძლავრის წყაროთმევი ლილვი, ზურგ-ანთურის მუშა ორგანოებს ამუშავებენ ხე-ით, ცხენისას — ხელით ან სპეც. ძრავა-ი, საავიაციოს — თვითმფრინავზე დამონ-აჟებული ქარის ძრავათი. —

ასხურებელ-საფრქვეველი, კომბი-ირებული მანქანა, რ-საც იყენებენ მცენა-ეთა დასამუშავებლად ხსნარებით, სუს-ენზიებით, ემულსიებითა და ფხვნილი-ებრი მშრალი შხამქიმიკატებით. სსრკ მცენარეთა მავნებლებისა და დაავა-ებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, აგ-ეთვე ბამბის მცენარეზე ფოთლების მო-ცილებლად მოსავლის აღების წინ. შეს-ურებისას მუშა სითხე ტუმბოს მეშვეობით ეზერვუარებიდან შეიწოვება და დაიჭ-რება საველე შტანგის ბუნიკებში, სა-დანაც გაფრქვეული სითხე დაეფინება ასამუშავებელ მცენარეს. ბრანტსპოიტე-ის გამოყენებისას მათ შლანგებს საჭირბნ ჯანს უერთებენ. მცენარეებს ფხვნილი-ებრი შხამქიმიკატები შეეფრქვევა გამფრ-ქვევი ბუნიკებიდან. ამ უკანასკნელს შხამ-ქიმიკატი გადაეცემა ვენტილატორიდან, ნტილატორს კი — ბუნკერიდან (დოზა-ორის მეშვეობით). ზოგჯერ გამფრქვევ ბუნიკებს ცენტრიდანული საფრქვეველით დრავ. სისტემიდან წყალსაც აწვდიან. ნქანის მწარმოებლურობა 4,2 *ჰა/სთ*, რმოდების განი — 4,8—9,6 *მ*, სასხურებ-ის რეზერვუარების ტევადობა — 640 *ლ*, ფრქვეველის ბუნკერის ტევადობა—125 *ლ*, შა სიჩქარე — 5,4—6,3 *კმ/სთ*.


ასჯელი, სახელმწიფო ღონისძიება, საც სასამართლო სახელმწიფოს სახელით უსჯის *დანაშაულის* ჩამდენ პირს (თავი-ფლების აღკვეთა, გადასახლება, ქონე-ის კონფისკაცია, ჯარიმა და სხვ.). , როგორც სახელმწ. იძულების ფორმა, ხასიათდება სზ-ბაში წარმოიშვა. იგი რეპ-სიული ხასიათისაა და გამოიყენება იმ რთა მიმართ, რ-ებიც ხელყოფენ ამ სზ-ს არსებით ინტერესებს. სხვადასხვა სზ.-ონ. ფორმაციაში, ექსპლუატატორული ხელმწიფოს განვითარების სხვადასხვა რიოდში, ს-ის არსსა და მიზანს ხედავ-ენ ან დაშინებაში, ან ჩადენილი დანაშა-ისათვის სამაგიეროს გადახდაში, კერძ, ბრალის გამოსყიდვაში, ან სახელმ-ფოსათვის მიუღებელი ელემენტების ოთრგუნვასა და იზოლაციაში და სხვ.


საბჭ. სისხლის სამართ. მიხედვით, ს. თავისი შინაარსით დამნაშავისათვის გარკვეული ტანჯვის მიყენება, მისი პირადი და ქონებრივი უფლებების შეზღუდვაა, რ-იც განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, ბრალეულის პიროვნების გათვალისწინებით. მაგრამ ფიზ. ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების შელახვა ს-ის მიზანს არ წარმოადგენს (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 22); ს-ის მიზანი არ არის არც სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი ბოროტებისათვის.

ს-ის მთავარი ამოცანაა მსჯავრდებულის აღზრდა-გამოსწორება (რესოციალიზაცია), მსჯავრდებულის მიერ ახ. დანაშაულის ჩადენის აცდენა (სპეც. ანუ კერძო *პრევენცია*). ს-ის აღმზრდელობითი ამოცანა ხორციელდება მსჯავრდებულთა ჩაბმით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მათი კულტ. და განათლების დონის ამაღლებით, პოლიტ.-აღმზრდელობითი მუშაობით. სპეც. პრევენციის ამოცანა ხორციელდება აგრეთვე დამნაშავის იზოლაციით, დამნაშავის მოცილებით დამნაშავეთა წრისაგან, რ-თანაც იგი დაკავშირებული იყო, გარკვეული თანამდებობის დაკავების აკრძალვით და ა. შ. სპეც. პრევენციასთან ერთად ს. მიზნად ისახავს ზოგადი პრევენციის ამოცანებსაც, ზემოქმედებს არა მარტო განსასჯელზე, არამედ სზ-ბის სხვა წევრებზეც, რათა მათ თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან. ზოგადი პრევენციის ამოცანა ხორციელდება ს-ის დანიშვნით და გამოყენებით, კიდევ უფრო ადრე — ს-ის მუქარის დაწესებით სისხლის სამართ. კანონში. ს-ის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა განპირობებულია არა მისი სისასტიკით, არამედ აუცილებლობით. მთავარია ის, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გაუხსნელი (ვ. ი. ლენინი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 4, გვ. 490).

საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდექსი შეიცავს ს-თა სისტემას, რ-ის თანახმადაც ს-ები თანამიმდევრობითაა ჩამოთვლილი. ამ თანამიმდევრული სისტემიდან გამოყოფილია *სიკვდილით დასჯა*, როგორც განსაკუთრებული ღონისძიება. სასამართლოს უფლება არა აქვს დამნაშავეს მიუსჯის ისეთი ს., რ-იც კანონში არ არის (მ. 23). კანონი ითვალისწინებს ს-თა 3 ძირითად ჯგუფს: 1. ს., რ-იც შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითადი და არ შეიძლება მისი გამოყენება დამატებით ს-ად, ასეთებია სიკვდილით დასჯა, თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა (შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ვადიანი სამსახურის სამხ. მოსამსახურეს) და საზ. გაკიცხვა. 2. ს., რ-ის გამოყენებაც შეიძლება როგორც ძირითად, ისე დამატებით ს-ად (გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და თანამდებობიდან დათხოვნა). 3. ს., რ-იც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ როგორც დამატებითი (ქონების კონფისკაცია, სამხ. ან სპეც. წოდების ჩამორთმევა, მშობლის უფლების ჩამორთმევა).

ტერმ. „ს-ს" ძვ. საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ჰქონდა — სატანჯველისა, სამსჯავროსი, განაჩენისა და დასჯისაც. ყველაზე ადრეულ ქართ. სამართ. წიგნში — *ბაგრატ კურაპალატის სამართალში* ს. შეცოდების, ე. ი. დანაშაულის „მუქაფად" (სანაცვლოდ) გაიგება. ს.-ს. ორბელიანი, ძველთაგანვე მომდინარე შეხედულებებისამებრ, ხაზგასმით აღნიშნავს ს-ის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას. ისტორიულად ქართ. სამართალში ს-თა, სისტემა ძირითადად მოიცავდა ქონებრივ, („*სისხლი*"), გამაწბილებელ და სხეულებრივ ს-ებს (კერძოდ, *გახეიბრებას*), თავისუფლების აღკვეთას, *ექსორია*-გაძევებას, „ძელსა ზედა დამოკიდებას" (იხ. სტ. *ძელი*) და სიკვდილით დასჯას.





სასხურებელი. ნახ. 1. საკიდი ჰიდრავლიკური სასხურებლის სქემა: 1—რეზერვუარი; 2—ჰიდროსარევი; 3—ფილტრი; 4—ტუმბო; 5—ეჟექტორი; 6 — ვენტილი; 7—სარედუქციო სარქველი; 8—მანომეტრი; 9—გამფრქვევებუნიკებიანი შტანგი; 10—ბრანდსპოიტები.

სასხურებელი. ნახ. 2. მისაბმელი ვენტილატორული სასხურებლის სქემა: 1—რეზერვუარი; 2,8—ვენტილები; 3—ეჟექტორი; 4—ფილტრები; 5—ტუმბოები; 6—მანომეტრი; 7—სარედუქციო-დამცავი სარქველი; 9—ონკანი; 10,11—კოლექტორები, რომელთაც ცენტრიდანული გამფრქვევი ბუნიკები აქვთ; 12—ღერძული ვენტილატორი.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929, გვ. 526—540; Курс советского уголовного права, т. 3, М., 1970; Шаргородский М. Д., Наказание, его цели и эффективность, Л., 1973.

თ. წერეთელი.

სასჯელის უმაღლესი ზომა, იხ. სტ. *სიკვდილით დასჯა.*

სასჯელის შეცვლა, იხ. სტ. *პირობით ვადამდე გათავისუფლება სასჯელისაგან.*


სასჯულო სამრევლო, სასამართლო უწყება და ოლქი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. იხსენიება დავით აღმაშენებლის 1123 ანდერძში შიომღვიმისადმი. საბუთიდან ირკვევა, რომ საეკლ. მსახურთა და ყმათა ერთობლიობა საკათალიკოსო ს. ს-ს შეადგენდა (საქართვ. სახელმწიფოს მკვიდრთა უმრავლესობა სამეფო სასამართლოებს ექვემდებარებოდა); შიომღვიმისათვის კათალიკოსს სასამართლო *შეუვალობა* მიუნიჭებია და ამით იგი თავისი ს. ს-დან ამოუღია („თჳთ მეგჳპისა დიაკონსაჲ მოისამართლოს"). *წყარო:* ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965, გვ. 14.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ე. ფუტკარაძე.*

სატავაჰანთა სახელმწიფო, ძვ. წ. I — ახ. წ. III სს-ში სახელმწიფო ინდოეთში; განაგებდა სატავაჰანთა დინასტია. დააარსა ჩრდ.-დას. დეკანის გამგებელმა, სატავაჰანთა ანდჰრას გვარის წარმომადგენელმა სიმუკამ. ახ. წ. I—II სს-ში სიმუკას და მისი მემკვიდრეების ძალაუფლება ვრცელდებოდა დას. და ცენტრ. დეკანსა და მალვაზე. ახ. წ. III ს-ში ს. ს. დაიშალა. სატავაჰანთა გვარის წარმომადგენლები დეკანის სხვადასხვა ნაწილს III—IV სს-ში და უფრო მოგვიანებითაც განაგებდნენ.

სატანგი, ხურდა ფული ტაილანდში, უდრის 1/100 *ბატს*.

სატანი-დარი, სატანიდარი, ადრინდ. პალეოლითური ხანის ძეგლი არაგაწის ფერდობზე, სოფ. პირმალაკთან (სომხ. სსრ). არქეოლოგიურად შესწავ-



სასხურებელ - საფრქვეველის სქემა: 1—საველე შტანგი; 2 — საფრქვეველის გამფრქვევი ბუნიკები; 3—სასხურებლის რეზერვუარი; 4—ჰიდროსარევი; 5—საფრქვეველის ბუნკერი; 6—საჭირხნი ონკანი; 7—მანომეტრი; 8—სარეგულაციო სარქველი; 9—პლუნჟერული ტუმბო; 10—შემწოვი ფილტრი; 11—ვენტილატორი.



სატაცური. სამკურნალო სატაცური: 1—ნორჩყლორტებიანი ფესურა; 2—ყვავილებიანი ტოტი; 3—ნაყოფებიანი ტოტი.

ლილია 1945—49 (ს. სარდარიანი, ს. ზამიატნინი და მ. პანიჩკინა). ბორცვის ზედაპირზე აკრეფილია ობსიდიანისა და ქვის მრავალი პრიმიტ. იარაღი: ანატკეცები, ხელცულები, დისკოიდური და პრიზმული უბეში ნუკლეუსები. ქვის იარაღის მიხედვით გამოიყოფა 2 კომპლექსი: უძველესი (გვიანდ. შელის ხანა) და გვიანდელი (გვიანდ. აშელის ხანა).

ლიტ.: Паничкина М. З., Палеолит Армении, Л., 1950.

სატანკო არმია, სახმელეთო ჯარების ოპერატიული გაერთიანება, რ-ის საფუძველია *ტანკები*. ს. ა-ს იყენებდნენ დამოუკიდებლად და სხვა არმიებთან ერთად თავდაცვის გარღვევის, ოპერატიულ სიღრმეში შეტევის სწრაფი განვითარების, ოპერატიული მნიშვნელობის რ-ნებისა და ზღუდეების ხელში ჩაგდების, მოწინააღმდეგის მსხვილი რეზერვების შებოჭვის, მისი ჯარების დაჯგუფებების გარემოცვის, განადგურებისა და სხვ. ამოცანების შესასრულებლად. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში ს. ა. იქმნებოდა 1942 მაისიდან.

სატანკო ჯარი, სახმელეთო ჯარის სახეობა. შედგება სატანკო ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთებისაგან; გარდა ამისა, მის შემადგენლობაში შედის მოტომსროლელი (მექანიზებული), რაკეტული, საარტილერიო, საზენიტო ქვედანაყოფები და ნაწილები, აგრეთვე საინჟინრო, კავშირგაბმ. საავტ. და სხვ. სპეც. ჯარების ქვედანაყოფები და ნაწილები. შეიარაღებულია ტანკებით, თვითმავალი არტილერიით, ჯავშანტრანსპორტიორებით, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებით, ვერტმფრენებით და სხვა ტექნიკით. ს. ჯ-ს აქვს ძლიერი ცეცხლისა და დარტყმის ძალა, მალალი მოძრავუნარიანობა და საიმედო დამცავი ჯავშანი. მთავარი მიმართულებით მასირებული მოქმედების დროს მას შეუძლია დამოუკიდებლად და ჯარის სხვა სახეობებთან ერთად გადალახოს მტრის დაცვა, განახორციელოს მალალმანევრული საბრძოლო მოქმედება, ღრმად შეიჭრას მტრის ზურგში და გაანადგუროს მისი რეზერვები, ხელთ იგდოს და შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი ზღუდეები და სწრაფად მიაღწიოს ბრძოლისა და ოპერაციის მიზანს. ტანკების მძლავრი ჯავშანი იცავს მას არტილ. ცეცხლისა და ბირთვული იარაღის გამანადგურებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან, მკვეთრად ამცირებს ეკიპაჟის დაზიანებას შეღწევადი რადიაციისაგან და შესაძლებლობას აძლევს მას იბრძოლოს მაშინაც, თუ მტერი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს.

საბჭ. შეიარაღებულ ძალებში ს. ჯ-ის წინამორბედი იყო ჯავშნიანი ძალები, რ-თა საფუძველს შეადგენდა ჯავშნიანი მანქანები და მატარებლები. 1920 წითელმა არმიამ მიიღო პირველი მსუბუქი ტანკები, 1931—35 სხვადასხვა ტიპის მსუბუქი, საშ. და მძიმე ტანკებით შეიარაღდა. 1936 შეიქმნა მექანიზებული კორპუსები, ბრიგადები, სატანკო პოლკები და საფუძველი ჩაეყარა ჯარის ახ. სახეობას —ავტოჯავშანსატანკო ჯარს. ხასანის ტბასთან, მდ. ხალხინ-გოლთან და საბჭოთა კავშირ-ფინ. ომში (1939—40) მიღებული გაზოცდილების საფუძველზე 1940 წითელი არმია შეიარაღდა უფრო ძლიერი ჯავშნითა და იარაღით აღჭურვილი ტანკებით („ტ-34" საშ. და „კვ" მძიმე ტანკები), 1943 კი მიიღო *თვითმავალი საარტილერიო დანადგარი* (თსდ). 1943 დაიწყო ერთგვაროვანი შემადგენლობის სატანკო არმიების ჩამოყალიბება. 1943 ზაფხულისათვის საბჭ. შეიარაღებულ ძალებში იყო 5 სატანკო არმია, რ-შიც, როგორც წესი, შედიოდა 2 სატანკო და 1 მექანიზებული კორპუსი და მრავალი ცალკე სატანკო და მექანიზებული კორპუსი. სატანკო კორპუსში ირიცხებოდა დაახლ. 11 ათ. კაცი, 209 ტანკი „ტ-34", 49 თსდ, 152 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1,2 ათ-ზე მეტი ავტომანქანა; მექანიზებულ კორპუსში — 16 369 კაცი, 246 ტანკი და თსდ, 252 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი (მ. შ. რეაქტიული არტილ. ცალკე გვარდიული ნაღმმტყორცნელი დივიზიონი), 1,8 ათ-ზე მეტი ავტომანქანა.

1953 შემოღებულ იქნა ჯავშანსატანკო ჯარის უფროსის თანამდებობა, ხოლო 1960 დეკ-ში შეიქმნა ს. ჯ-ის სამმართველო.

ომის შემდეგ შეიქმნა სრულყოფილი ტანკები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოების ს. ჯ-ების საბრძოლო შესაძლებლობანი. სულ უფრო მეტი რაოდენობით იყენებენ ტანკებს საერთო-საჯარისო ნაწილებსა და შენაერთებში. აშშ-ის ჯავშანსატანკო ჯარი შედგება ჯავშანსატანკო დივიზიების, ჯავშანსაკავალერიო (სადაზვერვო) პოლკის, მთავარი სარდლობის რეზერვის ბატალიონის, ქვეითი და მექანიზებული დივიზიების სატანკო ბატალიონებისაგან.

სატანკო ჯგუფი, ოპერატიული გაერთიანება ფაშისტური გერმანიის სახმელეთო ჯარებში 1940—41, II მსოფლიო ომის (1939—45) დროს. როგორც დროებითი გაერთიანება, პირველად 1940 საფრ. კამპანიის დროს შეიქმნა (კლაისტის, გოტის, გუდერიანის ს. ჯ-ები). სსრკ-ზე თავდასხმის დროისათვის ფაშისტურ გერმანიაში ჩამოყალიბდა 4 საშტატო ს. ჯ.

სატარიფო განაკვეთი, იხ. *სატარიფო სისტემა*.

სატარიფო თანრიგი, იხ. *სატარიფო სისტემა*.

სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი, იხ. *სატარიფო სისტემა*.

სატარიფო სისტემა, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სოციალიზმის დროს. მისი შემადგენელი ნაწილებია სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი, სატარიფო ბადე და სატარიფო განაკვეთები მუშებისათვის და თანამდებობათა საკვალიფიკაციო ცნობარი და თანამდებობრივი ხელფასის სქემები ხელმძღვანელი მუშაკების, ინჟინერ-ტექ. პერსონალისა და მოსამსახურეებისათვის— იგი მოიცავს აგრეთვე შრომის ანაზღაურების სხვადასხვა კოეფიციენტს.

სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარში მოცემულია ცალკეული პროფესიებისა და სამუშაოთა კონკრ. სახეების დეტალური დახასიათება, მოთხოვნა, რ-იც წაეყენება მუშებს ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად კვალიფიკაციის, შრომითი ჩვევებისა და წარმოებითი გამოცდილების თვალსაზრისით და მითითება თითოეული სამუშაოს ამა თუ იმ თანრიგისადმი მიკუთვნების შესახებ. პირველ თანრიგს მიეკუთვნება უმარტივესი სამუშაოები, უმაღლეს თანრიგს კი — ყველაზე რთული სამუშაოები, რ-თა შესრულება მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას.

სატარიფო ბადე ემსახურება შრომის ანაზღაურებასა და სამუშაოთა კვალიფიკაციას შორის სწორი თანაფარდობის უზრუნველყოფას. იგი შედგება განსაზღვრული რაოდენობის სატარიფო თანრიგებისა და მათი შესაბამისი სატარიფო კოეფიციენტებისაგან. პირველი თანრიგის კოეფიციენტად მიღებულია 1.0. ყოველი მომდევნო თანრიგის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება მას შესაბამისი თანრიგის მუშათა შრომის ანაზღაურება. ამჟამად უმრავლეს საწარმოში სატარიფო ბადე შედგება 6 თანრიგისაგან.

სატარიფო განაკვეთი, განსაზღვრავს დროის ერთეულში შრომის ანაზღაურების ოდენობას. თითოეული თანრიგის სატარიფო განაკვეთი წარმოადგენს იმავე თანრიგის სატარიფო კოეფიციენტისა და პირველი თანრიგის სატარიფო განაკვეთის ნამრავლს.

სატარიფო განაკვეთები დიფერენცირებულია მუშაკთა კვალიფიკაციის, შრომის პირობებისა და შრომის ანაზღაურების ფორმების გათვალისწინებით.

გეოგრ. მდებარეობის, ბუნებრივ-კლიმ პირობებისა და სხვა ფაქტორების გათვა ლისწინებით სსრკ ტერიტ. დაყოფილია 5 სატარიფო სარტყელად. პირველი სარტყ ლისათვის (ქვეყნის ევრ. ნაწილის ცენტრ სამხრ. და ჩრდ. რ-ნები) დაწესებულია კოეფიციენტი 1,0. მომდევნო სარტყლებ მიხედვით იგი იზრდება და მეხუთე სარ ტყელში (ქვეყნის უკიდურესი ჩრდ. ნაწი ლი, მურმანსკის ოლქის გამოკლებით შეადგენს 1,5—1,7-ს, ჩრდ. ყინულოვან ოკეანის კ-ებზე კი — 2,0-ს. მაშასადამე თუ პირველ სარტყელში მომუშავე მუშ კის ხელფასი 100 მანეთია, აღნიშნულ კუთ ძულებზე დასაქმებულს ისეთივე სამუშაო შესრულებისათვის მიეცემა 200 მან.

საბჭ. პარტია და მთავრობა სისტემ ტურად ზრუნავენ ს. ს-ის სრულყოფისა ყის. ამ მიმართულებით უკანასკნელ პერ ოდში განხორციელებულ ღონისძიებად შორის აღსანიშნავია: თანრიგების, სატ რიფო განაკვეთებისა და სარგოების რიც ვის შეკვეცა, ხელფასში სატარიფო განა ვების ხვ. წ. ამაღლება, მინ. და უმაღლ სი თანრიგების მუშაკთა შრომის ანაზღ ურებაში არსებული სხვაობის შემცირე და სხვ., რაც განაპირობებს მათი მატე დაინტერესების შემდგომ გაძლიერება და რეალურ შემოსავალთა ზრდას.

დ. ცისკარიშვილ

სატაცური (Asparagus), მცენარეთა გვ რი სატაცურისებრთა ოჯახისა.. მრავალ წლოვანი, ბალზე დატოტვილი ბალახებ ნახევრად ბუჩქები და ლიანებია. მა ფოთლები რედუცირებულია ქერქქლებად რ-თა უბეში ჯგუფ-ჯგუფად სხედან ნემს სებრი *კლადოდიუმები* (სახეცვლილ ღეროები); ზოგ სახეობას *ფილოკლადი მიც* აქვს. ყვავილი პატარაა, ხშირად ცა სქესიანი. ნაყოფი კენკრაა. 300-მდე სახ ობა გავრცელებულია ევროპაში, აზიასა აფრიკაში, უმთავრესად მშრალი ჰავ პირობებში. სსრკ-ში 30-მდე სახეო გვხვდება, საქართველოში — მხოლოდ სამეურნეო მნიშვნელობა აქვს სამკუ ნალო ს-ს (A. officinaltis). იგი ფა თოდაა გავრცელებული. მოჰყავთ როგო ბოსტნის კულტურა (var. altiltis). საჭ ლად იყენებენ ქორფა, წვნიან ყლორტებ ფესვი და ყლორტები სამკურნ. საშუალ ბაა (შეიცავს ალკალოიდ ასპარაგინს). ს ზოგი სახეობა (მაგ., ასპარაგუსი) დეკორ ტიულია.

სატევარი, ყ ე ლ ე. ხ ა ნ ჯ ა ლ ყ ა მ ა, ახლო მანძილზე საბრძოლო სანადირო ცივი იარაღი. ძველთაგან იყო გავრცელებული აღმოსავლეთის ქვ ნებში. ქართული ს. ორფხიანი, წვეტიან ბრტყელი, ღარიანი მოკლე მახვილ მას განვითარების ხანგრძლივი გზა ა გავლილი. დამზადების ცენტრების ხედვით განასხვავებდნენ ე. წ. „ფოთლი ბური" ს-ის ორ ძირითად ტიპს — მც თურსა და კახურს. თითოეულ ამ ჯგუფ რამდენიმე ქვეჯგუფი და ვარიანტი გამ ყოფა. უძველესი ს-ები მთლიანი ლით ნისა იყო, თუმცა ხშირად სხვადასხვა მა ლისაგანაც ამზადებდნენ. ბრინჯაო ხოლო შემდგომ რკინის პირს ჰქონდა რქ ხის ან ბრინჯაოს ტარი. ძვ. წ. VII ს-ან ამიერკავკასიაში გავრცელდა მოკლე ს აკინაკი.

შუა საუკ. ს-თა ფორმების აღსადგენ საინტერესო მასალას გვაწვდის ფრესკ ზე, ხელნაწერებში, ჭედურ ძეგლებსა საფლავის ქვებზე გამოსახული ნიმუშე XVIII ს-იდან ს. დიდი რაოდენობით მზ დებოდა თბილისში.

XIX ს-ში ს. ჯერ კიდევ შეადგე ქართვ. მამაკაცის მორთულობის აუ ლებელ ელემენტს. ქართ. ს. გამო ჩეოდა ფორმის სისადავით, პრპორც ლობითა და სინატიფით. ს-ის აღმნ ნელი ტერმინი „ხანჯალი" საქართველ სპარსეთიდან შემოვიდა XVII ს-ში.

კ. ჩოლოყაშვილ

სატელეგრაფო არხი, ტექნიკურ მოწყობილობათა კომპლექსი, რ-იც უზრუნველყოფს სატელეგრაფო სიგნალების გადაცემას ინფორმაციის გადამცემიდან — მიმღებზე (იხ. *სატელეგრაფო კავშირი*). ასხვავებენ შიგა საქალაქო, სარაიონო, საოლქო კავშირისა და მაგისტრ. (მაგ. რესპუბლიკათშორისო) ს. ა-ებს. ს. ა. შეიცავს *კავშირგაბმულობის ხაზებსა* და ჩვეულებრივ *ტონალური ტელეგრაფირების* აპარატურას.

სატელეგრაფო გადამცემი, კოდის შეიაბამისი (იხ. *კოდი სატელეგრაფო*) სატელეგრაფო სიგნალების მაფორმირებელი და კავშირგაბმულობის არხში გადაცემი მოწყობილობა. ს.გ. თანამედროვე ასოთსაბეჭდი *სტარტსტოპული აპარატის* ძირითადი კვანძია. ს. გ. შედგება კლავიატურის, შიფრატორის, მანაწილებლისა და დამხმარე მოწყობილობისაგან. კლავიშზე თითის დაჭერისას გადასაცემი ნიშანი შიფრატორისა და მანაწილებლის მეშვეობით გარდაიქმნება დენიან (ან უდენო) ელემენტარულ სიგნალებად, რ-ებიც კავშირგაბმ. არხში გადაიცემა, იხ. აგრეთვე *ტელეგრაფის აპარატი.*

სატელეგრაფო კავშირი, ასო-ციფრული შეტყობინების (*ტელეგრამის*) გადაცემა ელექტრული ან რადიოსიგნალებით რამე მანძილზე. ს. კ. დოკუმენტურია. შეტყობინებას ადრესატი ღებულობს სწრაფად და დაბეჭდილი (იშვიათად ხელნაწერი) ტექსტის სახით, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელობის სფეროში, საქმიან და კომერც. კავშირგაბმულობაში. ს. კ-ით გადასცემენ აგრეთვე ციფრულ ინფორმაციას პრესისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის და სხვ. XX ს. 50—60-იანი წლებიდან ს. კ-ის საშუალებებს იყენებენ მონაცემების გადასაცემადაც (იხ. *მონაცემების გადაცემა*).

ს. კ. ელექტროკავშირგაბმ. უძველესი სახეობაა. 1832 პ. *შილინგმა* პირველად განახორციელა სატელეგრაფო სიგნალების გადაცემა თავისმიერ შექმნილი აპარატის საშუალებით. ს. კ-ის შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბ. *იაკობიმ*, ს. *მორზემ*, ე. *ბოდომ*, ე. ლაბორდმა, ჩ. უიტსტონმა, აგრეთვე საბჭ. მეცნიერებმა და გამომგონებლებმა — გ. დაშკევიჩმა, ა. შორინმა, პ. აზბუკინმა, ა. ივანტიევმა და სხვ.


გადასაცემი ინფორმაციის დანიშნულებისა და ხასიათის მიხედვით ს. კ. სხვადასხვა სახეობისაა: საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობა, სააბონენტო ტელეგრაფი (იხ. *სააბონენტო ტელეგრაფირება*), საუწყებო ს. კ., ფაქსიმილური კავშირი (ფოტოტელეგრაფიული კავშირი).

საერთო სარგებლობის ს. კ-ის დანიშნულებაა გადაცემა მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებებისაგან კავშირგაბმულობის კვანძებსა და განყებებში მიღებული ტელეგრამებისა, ფულადი გზავნილებისა, სატელეფონო ლაპარაკის შესახებ შეტყობინებისა და ა. შ. *სააბონენტო ტელეგრაფი* აბონენტებს შორის დოკუმენტური ლაპარაკის ან ცნობათა ცალმხრივი გადაცემის საშუალებას იძლევა აბონენტებთან დადგმული სატელეგრაფო აპარატების დახმარებით. ამასთან ერთად იყენებენ აგრეთვე საერთო სარგებლობის სატელეგრაფო ქსელიდან ტელეგრამების გადასაცემად და მისაღებად. სააბონენტო ტელეგრაფის ქსელის აბონენტები არიან სამინისტროები, უწყებები, მსხვილი საწარმოები და სხვ. სააბონენტო ტელეგრაფის ნაირსახეობაა *ტელექსი*, რ-საც იყენებენ საერთაშ. ს. კ-თვის. საუწყებო ს. კ. სახ. მეურნ. იმ დარგებშია გავრცელებული, სადაც საჭიროა დიდი რაოდენობის დოკუმენტური ინფორმაციის გადაცემა (მაგ., რკინიგზის ტრანსპორტზე, სამოქალაქო ავიაციაში, მეტეოროლ. სამსახურში და სხვ.). *ფაქსიმილური კავშირის* დანიშნულებაა უძრავ გამოსახულებათა გადაცემა, მას იყენებენ ფოტოტელეგრამების, ცენტრ. გაზეთების სვეტების, კარტოგრაფიული მასალისა და სხვათა გადასაცემად.

გადაცემის ორგანიზაციის სახეობის მიხედვით განასხვავებენ სიმპლექსურ და დუპლექსურ ს. კ-ს, *სიმპლექსური* ს. კ. საშუალებას იძლევა ორ სატელეგრაფო სადგურს (ან აბონენტს) შორის შეტყობინების გადაცემა მოეწყოს ორივე მიმართულებით რიგრიგობით. ამ დროს გადაცემა-მიღებისათვის იყენებენ ერთსა და იმავე სატელეგრაფო აპარატს, დუპლექსური ს. კ-ის დროს შეტყობინება გადაიცემა ერთდროულად ორივე მიმართულებით, რისთვისაც ყოველ სადგურში დადგმულია 2 აპარატი (გადამცემი და მიმღები) ან ერთი აპარატი, რ-ის გადაცემისა და მიღების წრედები ელექტრულად არის გაყოფილი.

ს. კ-ის საშუალებით გადაცემული ინფორმაცია დისკრეტულია, რადგან იგი შეიცავს სიმბოლოთა სასრულ რაოდენობას (ასოები, ციფრები, სასვენი ნიშნები). ამიტომ ს. კ-ის სისტემის შემადგენელი ელემენტები გაანგარიშებულია ერთმანეთისაგან განსხვავებული განსაზღვრული რაოდენობის ელემენტარული ელექტრული სიგნალების ერთობლიობათა გადასაცემად. სიგნალების ყოველ ასეთ ერთობლიობას კოდური კომბინაცია ეწოდება (იხ. *კოდი სატელეგრაფო*). ს. კ-ში იყენებენ ორობით სიგნალებს, ე. ი. ისეთ სიგნალებს, რ-თაც შეუძლიათ მიიღონ ორი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი მნიშვნელობა. ეს უზრუნველყოფს სიგნალების მაქს. დაბრკოლებამდგრადობას, აგრეთვე ამარტივებს ს. კ-ის მოწყობილობათა ტექ. რეალიზაციას. ორობით სიგნალებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახე (ნახ. 1). მუდმივი დენის სიგნალებით ცნობებს გადასცემენ შედარებით მცირე მანძილზე (300—400 *კმ*-მდე) საჰაერო და საკაბელო ხაზებით (ფიზ. წრედები). მაგისტრ. ხაზებით გადაცემა ხორციელდება სიხშირით მოდულირებული ცვლადი დენის ორობითი სიგნალებით. კომუტაციის ძირითადი პრინციპი ს. კ-ში არხთა კომუტაციაა, რაც ნიშნავს ორ აბონენტს შორის დროებითი პირდაპირი შეერთების დამყარებას ტელეგრამების გადასაცემად. გადაცემის დამთავრების შემდეგ შეერთება წყდება, ხოლო კავშირგაბმ. არხები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა შეერთებისათვის, ბოლო სააბონენტო დანადგარები (გარდა სატელეგრაფო აპარატებისა) აღჭურვილია გამოსაძახებელი მოწყობილობებით, რ-თაც აქვთ სატელეფონო ტიპის ნომრის ამკრეფი. ბოლო სატელეგრაფო სადგურები, ტელეგრაფის აპარატები, საკომუტაციო მოწყობილობა და ინფორმაციის გადასაცემი ს. კ-ის არხები ქმნიან *სატელეგრაფო ქსელს*, რაც ჩვენი ქვეყნის *ერთიანი ავტომატიზებული კავშირგაბმულობის ქსლის* (ეაკქ) ძირითადი ნაწილია. ს. კ-ის სტრუქტურულ სქემაზე (ნახ. 2) ნაჩვენებია 2 ბოლო სატელეგრაფო დანადგარის შეერთება ა და ბ კვანძური საკომუტაციო სადგურების მეშვეობით. ბოლო სადგურების რაოდენობას (1-იდან 6-მდე) განსაზღვრავს ბოლო დანადგარების განლაგება.

ს. კ-ის მთავარი მაჩვენებლებია ტელეგრაფირების სიჩქარე, ინფორმაციის გადაცემის სისწორე, მტყუნებათა კოეფიციენტი და დაყოვნების დრო. *ტელეგრაფირების სიჩქარე* (გადაცემის სისწრაფე) იზომება 1 *წმ*-ში გადაცემული სიგნალების რაოდენობით. მისი საზომი ერთეულია *ბოდი*. ტელეგრაფირების სტანდ. სიჩქარეებია 50; 75; 100; 200 ბოდი. *გადაცემის სისწორე* არის შეცდომებით მიღებული სიმბოლოების



სატელეგრაფო კავშირი. ნახ. 1. ორობითი სატელეგრაფო სიგნალების სახეები: ა—მუდმივი დენის ერთპოლუსა სიგნალები; ბ—მუდმივი დენის ორპოლუსა სიგნალები; გ—ცვლადი დენის სიხშირით მოდულირებული სიგნალები; U—ძაბვა; t— დრო; f_1 და f_2—ცვლადი დენის ორობითი სიგნალების სიხშირეთა მნიშვნელობანი.

(ნიშნების) ფარდობა გადაცემული სიმბოლოების საერთო რაოდენობასთან (გამოთვლა ხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში — სეანსის განმავლობაში). ამ სიდიდეს ჯწოდებენ აგრეთვე შეცდომათა კოეფიციენტს, რ-იც ნორმირებულია, სსრკ-ში იგი შეადგენს 10^{-4} (არა უმეტეს ერთი შეცდომისა 10 000 გადაცემულ ნიშანზე) სატელეგრაფო ხაზის ყოველ 2500 *კმ*-ზე. *მტყუნებათა კოეფიციენტი* განსაზღვრავს დაუმყარებელი შეერთების სიხშირეს არხების ან საკომუტაციო მოწყობილობის დაკავების გამო. მტყუნებათა კოეფიციენტი ნორმირებულია უდიდესი დატვირთვის პერიოდისათვის (საათი, დღე) და გამოისახება როგორც პროცენტული ფარდობა მტყუნებათა რაოდენობისა გამოძახებათა საერთო რაოდენობასთან. მტყუნებათა კოეფიციენტის ნორმა, როცა შეერთება 6 შუალედური კვანძის გავლით ხდება, 17%-ია.

ტელეგრამების დაყოვნების დრო განისაზღვრება კავშირგაბმ. საწარმოში ტელეგრამის მიღების მომენტიდან მისი ადრესატისათვის ჩაბარების მომენტამდე. დაყოვნების დრო რეგლამენტირებულია ტელეგრამის გავლის ყველა ეტაპზე.


ს. კ-ის ტექ. განვითარების შემდგომი ეტაპია ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის თითოეული ეტაპის ავტომატიზაცია. ინერგება ახ. ტიპის ტელეგრაფის აპარატები, არხწარმომქმნელი აპარატები, საკომუტაციო დანადგარები, მუშავდება საკომუტაციო კვანძები ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ბაზაზე. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა გადიდდეს ტელეგრამების გადაცემის სიჩქარე და სისწორე, შემცირდეს მტყუნებათა კოეფიციენტი და ტელეგრამების გავლის დრო.

ლიტ.: Кошничев Л. Н., Лещук И. А., Документальная электросвязь, М., 1977; Передача дискретной информации и телеграфия, 2 изд., М., 1974.


დ. შიმშილაშვილი.

სატელეგრაფო ციფრები, მოწყობილობა, რ-საც იყენებენ *სატელეგრაფო გადამცემით* კავშირგაბმულობის არხიდან სიგნალების მისაღებად და მათი შესაბამისი ნიშნების დასაბეჭდად ქაღალდის ლენტზე ან რულონზე. ს. ც. თანამედროვე ასოთსაბეჭდი *სტარტსტოპული აპარატის* ძირითადი კვანძია. იგი შედგება ე. წ. მიმღები ელექტრომაგნიტისა და დეშიფრატორისაგან, საბეჭდი და დამხმარე მექანიზმებისაგან.

ს. ც-ის შესასვლელზე სატელეგრაფო სიგნალის მოქმედებით ელექტრომაგნ. ღუზა გადაინაცვლებს გარკვეულ მდგომარეობაში და შუალედური მექანიზმით მართავს დეშიფრატორის მუშაობას. დეშიფრატორი საზღვრავს მიღებული სიგნალის შესაბამის ნიშანს, რ-საც ბეჭდავს საბეჭდი მექანიზმი. იხ. აგრეთვე *ტელეგრაფის აპარატი.*



სატელეგრაფო კავშირი. ნახ. 2. სატელეგრაფო კავშირის ორგანიზაციის სქემა: ტა—ტელეგრაფის აპარატი; გხ—გამოსაძახებელი ხელსაწყო; ა,ბ—კვანძური საკომუტაციო სადგურები.



სატელევიზიო ანტენა. მიმღები სატელევიზიო ანტენები: 1—„ტალღური არხის" ტიპის კოლექტიური ანტენების ნაკრები: ქვედა (2—არხიანი) და საშუალო ფართოზოლიანი მეტრული დიაპაზონის ანტენები; ზედა—ფართოზოლიანი დიაპაზონის ანტენა; 2 — მეტრული დიაპაზონის ინდივიდუალური 12-არხიანი ანტენა იტა—12; 3—მეტრული დიაპაზონის ტელესკოპური ოთახის ანტენა.

სატელევიზიო გადამცემი ქსელი. სატელევიზიო გადამცემი ქსელის სტრუქტურული სქემა: ტც — ტელეცენტრი; ტცგს—ტელეცენტრი გადამცემ სადგურთან ერთად; მგს—მძლავრი გადამცემი სადგური; რრ—რადიორელეური ხაზის მცირე სიმკვრივის რეტრანსლატორი; მრ—მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორი; კკგს — კოსმოსური კავშირის გადამცემი სადგური, რომელიც სიგნალებს გადასცემს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრს (ნაჩვენებია ნახაზის ზემო ნაწილში); კკს — კოსმოსური კავშირის მიმღები სადგური (უწყვეტი ხაზებით ნაჩვენებია რადიორელეური და საკაბელო საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის ხაზები. წვეტილი ხაზებით— სადგურების მოქმედების ზონები).

სატელეგრაფო რელე, მგრძნობიარე ელექტრომექანიკური მოწყობილობა, რ-საც იყენებენ მუდმივი და ცვლადი დენის სატელეგრაფო სიგნალების გასაძლიერებლად, გასაყოფად და გარდასაქმნელად. გამოირჩევა ამუშავების დიდი სიჩქარით, მართავენ მცირე სიდიდის დენით. როგორც წესი, ს. რ. პოლარიზებულია, ე. ი. მისი ამუშავება ხდება დენის არა აბსოლ. სიდიდის ცვლილებით, არამედ დენის მიმართულების შეცვლით. XX ს. 60-იან წლებიდან ელექტრომექან. ს. რ. იცვლება ელექტრონული მოწყობილობებით. იხ. აგრეთვე *რელე.*

სატელეგრაფო სადგური, *სატელეგრაფო არხების* საკომუტაციო მოწყობილობათა კომპლექსი. ს. ს-ში *სატელეგრაფო კავშირის* პროცესში ახორციელებენ *სატელეგრაფო ქსლის* ბოლო პუნქტების (ბპ) დროებით შეერთებას. ს. ს. არის მცირე (20-მდე ბპ და არა უმეტეს 6 მაგისტრ. არხისა), საშ. (100—600 ბპ და 800-მდე არხი) და დიდი ტევადობისა (4000-მდე ბპ და 800-ზე მეტი არხი). საკომუტაციო მოწყობილობის ტიპის მიხედვით განასხვავებენ დეკადურ-ბიჯურსა (აგებულია ელექტრომექან. *მაძიებლებზე*) და კოორდინატულს, სადაც გამოყენებულია *მრავალჯერადი კოორდინატული მაერთებელი* (მკმ). მუშაობება ელექტრონული ს. ს. (კომუტაციისათვის გამოყენებულია ნახევარდგამტარიანი ხელსაწყოები). განასხვავებენ აგრეთვე *საბონენტო ტელეგრაფირების* (სტ), პირდაპირი შეერთებისა (პშ), გაერთ. (სტ, პშ) და *მონაცემების გადაცემის* (მგ) ტიპის ს. ს-ებს. შეერთებათა სახესხვაობის მიხედვით ს. ს-ები არის ადგილ. (ერთი სადგურის ბპ-ებს შორის) და საქალაქთაშორისო (სხვადასხვა სადგურის ბპ-ებს შორის). თუ საქალაქთაშორისო შეერთების ინიციატორია მოცემული ს. ს-ის ბპ, მაშინ შეერთებას უწოდებენ გამავალს, ხოლო თუ მოცემული ს. ს-ის ბპ-ს გამოიძახებს სხვა სადგურის ბპ, მაშინ შეერთება იქნება შემომავალი. ორ ს. ს-ს შორის შეერთების დამყარებაში შეიძლება მონაწილეობდეს შუალედური სადგური, მაშინ ამ უკანასკნელისათვის ასეთი შეერთება იქნება ტრანზიტული.

აღჭურვილობის მიხედვით ს. ს. შეიძლება იყოს რეგისტრიანი (იხ. *რეგისტრი ელექტრომკავშირგაბმულობაში*) და ურეგისტრო. რეგისტრების გამოყენება საშუალებას იძლევა სატელეგრაფო ქსელში გამოვიყენოთ ერთიანი სამისამართო ნუმერაციის ექვსნიშნიანი სისტემა, რ-იც არ იქნება დამოკიდებული ს. ს-ის სტრუქტურასა და ტევადობაზე. საქსრ-ში ექსპლუატაციაშია დეკადურ-ბიჯური და კოორდინატული ს. ს-ები. დიდ ქალაქებში დაყენებულია გაერთ. ტიპის სადგურები.

თბილისში 1978-იდან ექსპლუატაციაშია იუგოსლ. წარმოების „ნიკოლა-ტესლას" გაერთ. ს. ს. სსრკ-ში დეკადურ-ბიჯური ს. ს-ები იცვლება კოორდინატულით. ს. ს-ის შემდგომი განვითარება წარიმართება ერთიანი ავტომატიზებული კავშირგაბმულობის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად.

ლიტ.: Коган В. С., Кравченко Э. Н., Проектирование телеграфных автоматических коммутационных станций, М., 1973. *დ. შიმშილაშვილი*

სატელეგრაფო ქსელი, სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებული *სატელეგრაფო სადგურებისა* და მათი დამაკავშირებელი კავშირგაბმულობის არხების ერთობლიობა. სხვადასხვა სახელმწიფოს გაერთ. ს. ძ. ქმნის საერთაშ. ს. ძ-ს. სსრკ-ში ს. ძ. შეიცავს საერთო სარგებლობის ქსელს, *საბონენტო ტელეგრაფირების* ქსელს, *ფაქსიმილური კავშირის* ქსელს. *სატელეგრაფო არხები* და ბოლო მოწყობილობა შეიძლება იჯარით გადაეცეს ორგანიზაციებს, საწარმოებს, სამინისტროებსა და უწყებებს.

ს. ძ-ის დანიშნულებაა წარმოება-დაწესებულებისა და კერძო პირებისათვის სატელეგრაფო შეტყობინების გადაცემა, დოკუმენტური ლაპარაკის ჩატარება, უძრავ გამოსახულებათა და ციფრული ინფორმაციის გადაცემა (იხ. *მონაცემების გადაცემა*). ს. ძ. ეწყობა კომბინირებული პრინციპით (უმაღლესი კატეგორიის კვანძების პირდაპირი შეერთება დაბალი კატეგორიის კვანძების რადიალურ-კვანძურ შეერთებასთან).

ს. ძ-ში იყენებენ კომუტირებულ და არაკომუტირებულ კავშირგაბმ. არხებს. არაკომუტირებული არხები უმთავრესად ეძლევათ მოიჯარადრეებს, ნაწილობრივ მათ იყენებენ საერთო სარგებლობის ს. ძ-ში. ასეთი არხებით გადასცემენ ფაქსიმილურ ინფორმაციას, კომუტირებულ არხებს იყენებენ საბონენტო ტელეგრაფირების ქსელში და საერთო სარგებლობის ქსელის მნიშვნელოვან ნაწილში, რაც მეტად ეკონომიურია და ქსლის ნებისმიერ ბოლო პუნქტთან შეერთების საშუალებას იძლევა. ს. ძ. ჩვენი ქვეყნის ერთიანი ავტომატიზებული კავშირგაბმულობის სისტემის შემადგენელი ნაწილია.

ლიტ.: Губин Н. М., Броннер Б. В., Организация и планирование телеграфной связи, М., 1971. *დ. შიმშილაშვილი.*

სატელევიზიო ანტენა, სატელევიზიო მაუწყებლობის პროგრამების (გამოსახულებებისა და ბგერითი თანხლების რადიოსიგნალების) გადამცემი და მიმღები *ანტენა.* განასხვავებენ მეტრული და დეციმეტრული დიაპაზონის ს. ა-ებს. გადამცემი ს. ა. ჰორიზ. სიმეტრიული ვიბრატორებისაგან შემდგარი სისტემაა. მათი განლაგება და კვების სქემა განსაზღვრავს ანტენის მიმართულების დიაგრამის (მდ) ფორმასა და გაძლიერების კოეფიციენტის (გკ) სიდიდეს. მიმღები ს. ა. არის ინდივიდ. (ოთახის ან გარე ანტენა) და კოლექტ. გარე ანტენა. მიმღები ს. ა. შეიძლება იყოს ერთ- ან მრავალარხიანი, აგრეთვე ფართოზოლიანი. კოლექტ. ანტენა ჩვეულებრივ არის „ტალღური არხის" ტიპისა (ნახ. 1). ინდივიდ. ერთარხიან გარე ანტენებად იყენებენ წრფივ ან მარყუჟისებრ ვიბრატორებს სხვადასხვა სირთულის ტალღური არხის ტიპისას. გავრცელებულია აგრეთვე მრავალარხიანი ანტენები ტაი-12 და იტა-12 (ნახ. 2). მეტრული ტალღების დიაპაზონში მომუშავე ოთახის ანტენების ძირითადი სახეა *ტელესკოპური ანტენა* (ნახ. 3) და ლენტური ანტენა. ვრცელდება ოთახის ტრანზისტორულმაძლიერებლიანი ანტენები.

ლიტ.: Кузнец Л. М., Метузалем Е. В., Рыманов Е. А., Телевизионные приемники и антенны. Справочник, М., 1974. *გ. კიკვილაშვილი.*

სატელევიზიო არხი, სატელევიზიო პროგრამის (გამოსახულებებისა და ბგერითი თანხლების) გადასაცემად გამოყოფილ რადიოსიხშირეთა ზოლი. სსრკ-ში სატელევიზიო მაუწყებლობისათვის იყენებენ 12 ს. ა-ს (თითოეულის სიგანეა 8 *მეგაჰც* ტალღები მეტრიან დიაპაზონში), მ. შ. 5 არხს — 48,5—100 *მეგაჰც* სიხშირის დიაპაზონში, ხოლო 7-ს 174—230 *მეგაჰც*-ის დიაპაზონში. დეციმეტრული ტალღების დიაპაზონში (სიხშირე 470—1000 *მეგაჰც*) განლაგებულია კიდევ 66 ს. ა.

სატელევიზიო გადამცემი კამერა, ტელეკამერა, მოწყობილობა, რ-იც ტელევიზიით გადასაცემ ობიექტზე განათებულობის განაწილებას გარდაქმნის *ვიდეოსიგნალად.* იყენებენ როგორც სამაუწყებლო, ისე *სამრეწველო ტელევიზიაში;* აგრეთვე კოსმ. გამოკვლევებისას. არსებობს სხვადასხვა ტიპის ს. გ. კ.: ტელესტუდიიდან გადამცემი და სტუდიის გარეშე გადამცემი, ფილმების საჩვენებელი და სხვ. აგრეთვე შავ-თეთრი და ფერადი. შავ-თეთრი ს. გ. კ. მოიცავს ობიექტივს, *გადამცემ სატელევიზიო ელექტრონმილაკს, სტრიქონული გაშლის გენერატორს, კადრობრივი გაშლის გენერატორსა და ვიდეომაძლიერებელს.* ფერადი ს. გ. კ. შავ-თეთრისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ მასში ვიდეოსიგნალი შეიცავს გადასაცემი ობიექტის თითოეული უბნის ფერის ინფორმაციას. ფერადი ს. გ. კ. შეიცავს ისეთ გადამცემ ელექტრონულ მილაკს, რ-შიც ხდება 3 ძირითადი ფერის (წითელი, მწვანე, ლურჯი) ფორმირება. შექმნილია ფერადი ს. გ. კ., რ-იც კინოკამერის ზომისაა. სამაუწყებლო ს. გ. კ-ს ემსახურება ოპერატორი, ამიტომ მას აქვს აგრეთვე კინესკოპიანი ვიდეომაძიებელი. *გ. კიკვილაშვილი.*


სატელევიზიო გადამცემი ქსელი, სატელევიზიო მაუწყებლობის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი (იხ. *ტელევიზია*). ს. გ. ძ-ის მთავარი ელემენტებია (იხ. ნახ.) სატელევიზიო სადგურები და მათი დამაკავშირებელი კავშირგაბმ. ხაზები, კერძოდ, რადიორელეური კავშირგაბმ. ხაზები, საკაბელო ხაზები (იხ. *კავშირგაბმულობის კაბელი*) და კოსმ. კავშირის ხაზები.

მეტრული და დეციმეტრული დიაპაზონის რადიოტალღების გავრცელების თავისებურებათა გამო სატელევიზიო გადამცემი სადგურების (გს) მოქმედების რადიუსის განსაზღვრება გადამცემი და მიმღები სატელევიზიო ანტენების პირდაპირი ხედვის მანძილით, რაც დამოკიდებულია ანტენების სიმაღლეზე. ამიტომ გადამცემ სატელევიზიო ანტენებს დგამენ მაღალ ანძებზე (იხ. *სატელევიზიო კოშკი*). სატელევიზიო რადიოგადამცემის სიმძლავრე განსაზღვრავს სიგნალის სიდიდეს მხოლოდ პირდაპირი ხედვის ზონაში. სსრკ-ში იყენებენ 200 და 350 *ვ* სიმაღლის კოშკებსა და 5 და 50 *კვტ* სიმძლავრის გადამცემებს, რითაც უზრუნველყოფენ სატელევიზიო სიგნალების მყარ მიღებას 60—80 *კმ*-ის რადიუსის ზონაში. დიდ ტერიტორიაზე სატელევიზიო გადაცემის უზრუნველსაყოფად საჭიროა 100—150 *კმ*-ით ერთმანეთისაგან დაშორებული მრავალი გს. ერთნაირი სიხშირით მომუშავე გს-ებს შორის დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად სადგურებს შორის მანძილი 350—400 *კმ* მაინც უნდა იყოს.

სსრკ-ში ს. გ. ძ. შეიცავს 130-ზე მეტ ტელეცენტრს, დაახლ. 1800 გს-ს, 100 ათ *კმ*-ზე მეტ საქალაქთაშორისო კავშირგაბმ. ხაზებსა და თანამგზავრ „მოლნიას" საშუალებით განხორციელებულ კოსმ. კავშირის სისტემას, რ-საც აქვს დაახლ. 70 მიმღები სადგური „ორბიტა". 1965—75 წწ. სსრკ-ში ცალკეული ს. გ. ძ. გაერთიანდა ქვეყნის ერთიან ს. გ. ძ-ში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია ცენტრ. ტელევიზიის

როგრამის მიღება სსრკ თითქმის მთელ ერიტორიაზე. *გ. კიკვილაშვილი.*

ატელევიზიო კოშკი, საყრდენი, რ-ის ავზე დაყენებულია გადამცემი სატელევიზიო სადგურის ანტენები. ს. კ-ის სიმაღლე განისაზღვრება სატელევიზიო სადგურის მოქმედების რადიუსით, გადამცემი *ატელევიზიო ანტენების* რაოდენობითა და მათი სიდიდით. ს. კ-ზე სატელევიზიო როგრამების გადასაცემი ანტენების გარდა განლაგებულია ულტრამოკლე ტალღებზე *რადიომაუწყებლობის* ანტენები, *რადიორელეური კავშირგაბმულობის* ხაზების ანტენები, რადიოტელეფონის კავშირგაბმ. ანტენები. ზოგჯერ ს. კ-ზე განალაგებენ აგრეთვე მეტეოროლ. დაკვირვების ულსაწყოებს. ს. კ-ის მზიდ კონსტრუქციებს ამზადებენ ფოლადისაგან ან რკინა-ტონისაგან (ნახ.). ყველაზე მაღალი ს. -ებია ოსტანკინოში (მოსკოვი, სიმაღლე 36 *მ*) და ტორონტოში (კანადა, 550 *მ*). . კ-ის შიგნით განლაგებულია კომუნიკაციები, რადიოგადამცემები, მოწყობილობა იფტი და სხვ.



სატელევიზიო სადგური. სატელევიზიო სადგურის სტრუქტურული სქემა: რს—რეჟისორის სააპარატო; ტს—ტექნიკური სააპარატო; ტკს—ტელეკინოსააპარატო; ცს—ცენტრალური სააპარატო; ემს—ვიდეომაგნიტოფონური სააპარატო; სს—საქალაქთაშორისო სააპარატო; სმ—მოძრავი სატელევიზიო სადგურიდან (მსს-იდან) სიგნალების მიმღები სააპარატო; 1—სატელევიზიო გადამცემი კამერა; 2—ვიდეორეჟისორის პულტი; 3—მიკროფონი; 4—ხმის რეჟისორის პულტი; 5 — მაძლიერებელ-საკონტროლო მოწყობილობა; 6—ტელეკინოპროექტორი; 7—ვიდეომაგნიტოფონი; 8—საკომუტაციო-მაძლიერებელი მოწყობილობა; 9—საქალაქთაშორისო რადიორელეური ხაზების მიმღები-გადამცემი მოწყობილობა; 10—რადიორელეური ხაზის ანტენა; 11—საქალაქთაშორისო საკაბელო ხაზის მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა; 12—გამოსახულების სიგნალების რადიოგადამცემი; 13—ბგერითი თანხლების სიგნალების რადიოგადამცემი; 14—გამოსახულებისა და ბგერითი სიგნალების შემკრები მოწყობილობა; 15—რადიოგადაცემების გადამცემი ანტენა; 16—მსს; 17—მსს-ის გადამცემი ანტენა; 18—მსს-ის რადიოხაზის მიმღები ანტენა; 19—მსს-ის რადიოხაზის მიმღები; 20—პორტატიული სარეპორტაჟო სატელევიზიო მოწყობილობა; 21—პორტატიული სატელევიზიო მოწყობილობიდან სიგნალის მიმღები ანტენა.

ატელევიზიო რადიოგადამცემი, მოწყობილობა, რ-იც სატელევიზიო და ბგერითი თანხლების სიგნალებს გარდაქმნის ტელევიზიო მაუწყებლობის სრულ რადიოსიხშირულ სიგნალად სატელევიზიო გადამცემი ანტენით მისი შემდგომი გამოსხივების მიზნით. ს. რ. არის გადამცემი სატელევიზიო სადგურის შემადგენელი ნაწილი. ახ. ტიპის ს. რ-ში გამოსახულების არ- (გა) და ბგერითი თანხლების არხი ითა) გაერთიანებულია ერთ დანადგარ- და აქვთ საერთო კვების წყარო, გაციბისა და მართვის სისტემები, მოდულებული რხევების გაძლიერების საერთო რაქტი. სამაუწყებლო ს. რ. მუშაობს ტრული და დეციმეტრული ტალღების აპაზონში. გა-ში გამოყენებულია ამპიტუდური, ხოლო ბთა-ში სიხშირული ხდულია. *გ. კიკვილაშვილი.*

ატელევიზიო რასტრი, სტრიქონების ითობლიობა, რ-ითაც ხდება გადასაცემი მოსახულების გაშლა *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკის* სამიზნეზე, ერთობლიობა *კინესკოპის* ეკრანზე გამსახულების აღმწარმოებელი სტრიქონებისა, რებიც სატელევიზიო *კადრს* შეადენენ. სამაუწყებლო ტელევიზიაში ს. რ-ს ს სწორკუთხა ფორმა. მისი ფორმატი იგანის შეფარდება სიმაღლესთან) ისე, ორც კადრის ფორმატი, არის 4 : 3. ცა არ არის ვიდეოსიგნალი ან მუდმივია ი მნიშვნელობა, ს. რ. ტელევიზორის რანზე ქმნის თანაბარად განათებულ ორკუთხედს. *გ. კიკვილაშვილი.*

ატელევიზიო სადგური, იმ მოწყობილობებისა და ნაგებობების კომპლექსი, თა დანიშნულებაა სატელევიზიო მაუწყებლობის პროგრამების მომზადება ან ხი გადაცემა (ან ერთიც და მეორეც) დიოტალღების საშუალებით (შემდგომ *ელევიზორით* მიღების მიზნით). ს. ს. ი სახისაა: პროგრამული, რ-საც ოდებენ სატელევიზიო ცენტრს (ტცენტრს) და გადამცემი ანურეტრანსლატორი. ხშირად ორივე სახის ს. ს. თადაა და ამ შემთხვევაში სახელწ. „ტელევიზიო ცენტრი" ერცელდება ორივეზე. ტელევიზიო ცენტრი — *სატელევიზიო გადამცემ ქსლის* საწყისი რგოლია, სადაც იქმნება ელევიზიო პროგრამები. ტელეცენტრ ტექ. ბაზის საფუძველია სატელევიზიო ულია თავისი ტექ. საპარატოთი. აქ ლაგებულია ტელევიზიით კინოფილის გადასაცემი დანადგარები, სატელევიზიო პროგრამების მაგნ. ლენტზე ჩამწერი აღმწარმოებელი აპარატურა (იხ. *ვიდმაგნიტოფონი*), სხვა ტელეცენტრებისა კავშირის ხაზებით სატელევიზიო პროგრამების მიმღები და საკუთარი პროგრამის სხვა ტელეცენტრებში გადამცემი აპარატურა.

სატელევიზიო სტუდია ხმაურისაგან იზოლირებული და განათების აპარატურით აღჭურვილი დიდი სათავსია, სადაც მზადდება და გადაიცემა სატელევიზიო დადგმები. სტუდიის გვერდით არის რეჟისორის საპარატო (სტუდიისაგან გამოყოფილია ბგერათგაუმტარი მინით). რეჟისორი თვალს ადევნებს და სადისპეტჩერო კავშირის მეშვეობით ხელმძღვანელობს ასისტენტებისა და *სატელევიზიო გადამცემი კამერების* ოპერატორების მუშაობას. ამავე დროს იგი ვიდეოსაკონტროლო მოწყობილობის საშუალებით თვალს ადევნებს ეკრანებზე ტელეკამერების მიერ გადაცემულ გამოსახულებას და ჩართავს (ან გამორთავს) გადამცემ კამერებს. რეჟისორის სააპარატოს გვერდით, სტუდიის ტექნიკურ სააპარატოში, განლაგებულია ტელეკამერებიდან მიღებული *სატელევიზიო სიგნალების* მაძლიერებელი და გარდამქმნელი დანადგარები. ტელეკამერები დადგმულია მოძრავ ურიკებზე (შტატივებზე) და საპარატოს დანადგარებთან დაკავშირებულია მრავალძარღვიანი კაბელით. აქვეა სატელევიზიო გამოსახულების ბგერითი თანხლების სიგნალების მისაღები მოწყობილობა. სატელევიზიო სტუდიაში არის სპეც. ოთახები მსახიობებისათვის, დეკორაციებისა და სხვა დამხმარე სათავსები.

კინოფილმების გადამცემი მოწყობილობა მოთავსებულია ტელეკინოსაპარატოში, ხოლო გამოსახულების სიგნალების ჩასაწერი და აღმწარმოებელი დანადგარები—ვიდეომაგნიტოფონურ სააპარატოში.

თანამედროვე ტელეცენტრებში დადგმულია საკუთარი კინოგადასაღები და ფილმების წარმოების დანადგარები. კინოგადაღებები საჭიროა სხვადასხვა ქრონიკალური (მაგ., უკანასკნელი ცნობების) გადაცემების მომზადებისათვის, დიდ ტელეცენტრებში იღებენ აგრეთვე მხატვრულ ფილმებსაც. კინოფილმებისა და მაგნ. ჩანაწერების შესანახად მოწყობილია სპეც. ფილმოთეკები.

სტუდიის გარეშე გადაცემებისათვის (გადაცემა მაგ., თეატრიდან, სტადიონიდან და ა. შ.) ტელეცენტრის განკარგულებაშია *მოძრავი სატელევიზიო სადგურები* (მ. შ. *სარეპორტაჟო სატელევიზიო დანადგარი*).

გადამცემი სადგური, სატელევიზიო გადამცემი ქსლის ბოლო რგოლი, უზრუნველყოფს გამოსახულებისა და ბგერითი თანხლების სიგნალების გადაცემას რადიოტალღების საზით. გადამცემი ს. ს-ის შედგენილობაში შედის *სატელევიზიო რადიოგადამცემები, სატელევიზიო კოშკზე* დადგმული გადამცემი ანტენა და სათანადო საზომ-საკონტროლო აპარატურა.

ლიტ. იხ. სტ-თან ტელევიზია.


გ. კიკვილაშვილი.

სატელევიზიო საცდელი ცხრილი, ტესტ-ცხრილი, სატელევიზიო გამოსახულების ხარისხის ვიზუალური კონტროლისათვის განკუთვნილი ცხრილი. სსრკ-ში მიღებულია მონოქრომული (შავ-თეთრი) გამოსახულების ს. ს. Ც. 0249 (იხ. ნახ.), რ-ითაც შეიძლება შეფასდეს სატელევიზიო გამოსახულების თითქმის ყველა პარამეტრი (მკაფიოობა — გარჩევის უნარი, გაშლის წრფივობა, დამახინჯება და კონტრასტულობა, გამოსახულების ფონის ნათების ერთგვაროვნება, გაშლის სინქრონიზაციის სიზუსტე, დაფოკუსება), დადგინდეს გამოსახულების დამახინჯების მიზეზი და მიღწეულ იქნეს ტელევიზორის როგორც მთელი ტრაქტის, ისე მისი ნაწილების ოპტიმალური აწყობა. ფერადი გამოსახულების ხარისხის საკონტროლოდ ს. ს. Ც. შეიცავს ფერების ბუნებრიობის, ფერთა სიმკვრივისა და სხვა მახასიათებლების საცდელ ელემენტებს. ს. ს. Ც-ს იყენებენ აგრეთვე *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკის, მსრბოლსხივიანი კამერისა* და სინათლის სხვა გარდამქმნელების მუშაობის საკონტროლოდ. *გ. კიკვილაშვილი.*

სატელევიზიო სიგნალი სრული, სატელევიზიო რადიოგადამცემის ანტენით გამოსხივებული ელექტრული სიგნალების ერთობლიობა. მონოქრომული (შავ-თეთრი) გამოსახულების გადაცემისას ს. ს. შეიცავს გამოსახულების (იხ. *ვიდეოსიგნალი*) და ბგერითი თანხლების სიგნალებს, ჩამქრობ და მასინქრონიზებელ კადრობრივ და სტრიქონულ იმპულსებს. ფერადი ს. ს. შეიცავს აგრეთვე ინფორმაციის მატარებელ სიგნალებსაც. ს. ს-ის პარამეტრები რეგლამენტირებულია *სატელევიზიო სტანდარტით.* *გ. კიკვილაშვილი.*

სატელევიზიო სტანდარტი, განსაზღვრავს შავ-თეთრი და ფერადი ტელევიზიის ძირითად პარამეტრებს. ს. ს-ში მოცემულია: სატელევიზიო გაშლის პარამეტრები (გაშლის სახე და სტრიქონების რიცხვი, კადრის ფორმატი და სიხშირე, სტრიქონული გაშლის სიხშირე და სხვ.), სრული *სატელევიზიო სიგნალის* პარამეტრები (პო-

თბილისის სატელევიზიო კოშკი:



სატელევიზიო საცდელი ცხრილი.

ლარობა, გაშლის ამპლიტუდა, ჩაქრობის, სინქრონიზაციისა და მაწონასწორებელი იმპულსების მახასიათებლები, სატელევიზიო არხის ვიდეოსიხშირის ზოლის სიგანე და სხვ.), გადამცემი *სატელევიზიო სადგურის* მიერ გამოსხივებული რადიოსიგნალების პარამეტრები (მოდულაციის სახე, გამოსხივებისა და ბგერითი სიგნალების გადამტანი სიხშირის სიდიდე, რადიოარხის გატარების ზოლის სიგანე და სხვ.), სატელევიზიო მიმღების — *ტელევიზორის* გამოსახულების არხის პარამეტრები (არხის სიხშირული მახასიათებლები, შუალედური სიხშირის მნიშვნელობები და სხვ.), სატელევიზიო ქსელის დაგეგმვის ძირითადი მოთხოვნები და სხვ.; ფერადი ტელემაუწყებლობის ს. ს-ში დამატებით ნაჩვენებია: *კინესკოპის* ლუმინოფორის ნათების პარამეტრები, საბაზისო თეთრი ფერის პარამეტრები და სხვ.

სატელევიზიო ხელოვნება, მხატვრული შემოქმედების სახეობათა შერწყმა, რაც განპირობებულია ტელევიზიის სპეციფიკით ტელევიზია ფართო მასებს აცნობს ცხოვრებისეულ მოვლენებს, აგრეთვე უწევნებს ხელოვნების სხვადასხვა სახეობის მიერ ადრე ან ტრანსლაციის მომენტში შექმნილ მზა ფორმებს. სხვადასხვა სატელევიზიო გად-ცემაში ესთეტ. საფუძველზე უშუალოდ ერთდება საინფორმაციო-პუბლიც. და ტელევიზიის მხატვრული ფუნქციები. ს. ხ-ში თავმოყრილია სატელევიზიო სანახაობები, გაერთიანებულია საკონცერტო ნომრები, ფრაგმენტები ხპექტაკლებიდან, კინოფილმებიდან და სხვ. ამ გადაცემებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წამყვანს. ტელევიზია დიდ როლს თამაშობს სსრკ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, აცნობს მაყურებელს მოძმე რესპუბლიკებისა და სხვა ქვეყნების ხალხთა კულტურას. ჯერ კიდევ არსებობის პირველ წლებში (50-იანი წლები) ს. ხ-ში გამოიყენეს კლასიკა — ტელევიზიის დაკვეთით შეიქმნა ფილმ-სპექტაკლების ფართო პროგრამა, რ-საც საფუძვლად დაედო საბჭ. თეატრ. კოლექტივების საუკეთესო ნამუშევრები: ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები", გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", გორკის „ვასა ჟელეზნოვა" (მოსკ. მცირე თეატრი), „ანა კარენინა" (ლ. ტოლსტოის მიხედვით, მოსკ. სამხატვრო თეატრი), ლავრენიოვის „რღვევა", ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია" (ლენინგრ. დიდი დრამ. თეატრი) და სხვ. ს. ხ-მ, როგორც ხელოვნ. დამოუკიდებელმა სახემ, ჩამოყალიბება დაიწყო 50-იან წწ. შუა ხანებში, ხოლო მომწიფდა 60—70-იან წლებში. ამ დროს გამოიკვეთა სხვადასხვა ჟანრი — ტელეფილმი, ტელესპექტაკლი (დრამ., საოპერო, საბალეტო), ტელემოთხრობა და სხვ. ცენტრ. ტელევიზიამ ექსპერ. ტელეფილმების გადაღება დაიწყო 50-იან წლებში („ორი ქმა არბატიდან", რეჟ. ა. ზაკი, 1953; „მდგმური", ჩეხოვის მიხედვით, რეჟ. ს. ალექსეევი, 1956 და სხვ.). ამავე პერიოდში შეიქმნა საბჭ. სატელევიზიო თეატრი („მაშენკა", აფინოგენოვის მიხედვით და „ლინდენის ოჯახი", პრისტლის მიხედვით; რეჟ. მ. რომანოვი). რუს. და საზღვარგარეთული კლასიკის მიხედვით დაიდგა ტელეფილმები და ტელესპექტაკლები — „ბორის გოდუნოვი" (პუშკინის მიხედვით, 1971), „რა ვაკეთოთ?" (ჩერნიშევსკის მიხედვით, 1971), პუშკინიანა — პოეტის დაბადების 175 წლისთავთან დაკავშირებით — „სახლი კოლომნაში", „ანჯელო", „მოცარტი და სალიერი" და სხვ. (1973—74), „ჩემი ცხოვრება" (ჩეხოვის მიხედვით, 1972), „პჟჩორინის ჟურნალის ფურცლები" (ლერმონტოვის მიხედვით, 1975), „პირველი სიყვარული" (1969), „ორი მეგობარი" (1975) და „ფანტაზია" (1976, ტურგენევის მოთხრობის „გაზაფხულის ნიაღვრების" მიხედვით), „დორიან გრეის პორტრეტი" (უაილდის მიხედვით, 1968). სსრკ-ში პირველი ციკლური და სერიული ფორმები აღმოცენდა ჯერ კიდევ 50-იან წწ. შუა ხანებში „მხიარული ეიქტორინა", „მხიარული შეკითხვების სალამო", „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" — ამ პროგრამებს ჰქონდა მკვეთრად გამოხატული იმპროვიზაციული სახე. 50-იან წლებში შეიქმნა საბავშვო სატელევიზიო თოჯინების თეატრი, მოგვიანებით — მულტიპლიკაციური ტელეფილმები. პირველი საბჭ. მხატვრული მრავალსერიიანი ფილმი შეიქმნა 1965 („ცეცხლი ჩვენსკენ", რეჟ. ს. კოლოსოვი). შემდეგი ტელეფილმები «ოპერაცია „ტრესტი"», (1968), „მისი აღმატებულესობის ადიუტანტი" (1970), „ჩრდილები ქრებიან შუადღისას" (ა. ივანოვის რომანის მიხედვით, 1972), „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" (ი. სემიონოვის რომანის მიხედვით, 1973), იდგმებოდა აგრეთვე მრავალსერიიანი ფილმები და სპექტაკლები ბავშვებისათვის („აი ჩემი სოფელი", 1974; „კეშკა და მისი მეგობრები", 1975 და სხვ.). საბჭ. ს. ხ-ში მოღვაწეობენ კვალიფიციური სცენარისტები (ი. ოლშანსკი, ს. განსოვსკი, ი. ალეშკოვსკი და სხვ.; მხატვრულ-პუბლიც. ფილმებში — ს. ჟდანოვა, ვ. ზორინი, გ. რადოვი და სხვ.), რეჟისორები (ს. კოლოსოვი, ა. ეფროსი, ვ. უსკოვი, ვ. კრასნოპოლსკი, ვ. ტურბინი, პ. ფომენკო, პ. რეზნიკოვი, კ. ხუდიაკოვი, ა. ბელინსკი, ვ. ზაგორუიკო, ნ. მაშჩენკო, ლ. კვინიხიძე, ი. ილინსკი, ტ. ლიოზნოვა, ბ. დუროვი, ო. ლებედევი და სხვ.), რეჟისორ-დოკუმენტალისტები (რ. კარმენი, ი. ბელიაევი, ვ. ლისაკოვიჩი და სხვ.); მსახიობები (მ. ჟაროვი, მ. პლისეცკაია, ი. სმოქტუნოვსკი, ა. პოპოვი, ლ. ბრონევოი, ლ. დუროვი, ვ. გაფტი, ა. მირონოვი. ვ. ტიხონოვი, რ. პლიატი, ი. სოლომინი, მ. ტერეხოვა, ა. გრაჩოვი, გ. იაკუნინა, გ. ფროლოვი, ნ. ეოლკოვი, ს. იურსკი, ა. დემიანენკო, ვ. საფონოვი, ო. ტაბაკოვი, ტ. დორონინა, ა. ფრეინდლიხი ლ. გურჩენკო, ე. ლებედევი და სხვ.). ს. ხ-ის ნაწარმოებები იქმნება მოსკოვში ცენტრ. ტელევიზიაში, „მოსფილმსა" და გორკის სახ. კინოსტუდიაში.

საქართველოში 1957 წ. 24 მარტს შედგა პირველი სატელევიზიო სპექტაკლის ნ. ლორთქიფანიძის „ბებრების" პრემიერა (რეჟ. მ. ჯალიაშვილი, მთავარ როლებში ს. თაყაიშვილი და ა. ჟორჟოლიანი). ამავე წელს რეჟ. მ. ჯალიაშვილმა დადგა რამდენიმე სპექტაკლი; მ. შ. აღსანიშნავია „თეთრი ღამეები" (ჭ. ლომთათიძის ნაწარმოების მიხედვით). 1958 რეჟ. მ. თუმანიშვილმა დადგა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი". 1959 დაიდგა პირველი საბავშვო სპექტაკლი ჯ. როდარის „ჩიპოლინოს თავგადასავალი" (რეჟ. მ. თუმანიშვილი, მხატვარი თ. სამსონაძე). 1960 დაიდგა პირველი სატელევიზიო ოპერა სსრკ-ში „გამზრდელი" (კომპოზიტორი ნ. გიგაური, რეჟ. ს. ევლახიშვილი). ამავე წლებში დაიდგა ჭ. ამირეჯიბის „ველოსიპედი" (რეჟ. ს. ევლახიშვილი), ა. კრონის „პარტიის კანდიდატი" (რეჟ. მ. ჯალიაშვილი), ა. კრონინის „იუპიტერი იცინის" (რეჟ. ი. გვიჩია), თ. ბიბილურის „ვიღაცა გვეძახის" და „შემოდგომის ღამის სტუმრები" (რეჟ. რ. აბულაძე), ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი" (რეჟ. ნ. აფაქიძე) და სხვ.

70—80-იანი წწ. დადგმებიდან აღსანიშნავია დ. კლდიაშვილის „უბედურება", ვ. როზოვის „გზაჯვარედინზე", ჟ. ბ. მოლიერის „ძალად ექიმი", ა. ჩხაიძის „ხიდი" (რეჟ. მ. თუმანიშვილი), გ. დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" (რეჟ. ზ. კანდელაკი), დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები", მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები" (რეჟ. შ. გაწერელია), რ. ერისთავის „ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს", გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი", ლ. ქიაჩელის „ევადი ბიგვა", კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა" (რეჟ. გ. კახაბრიშვილი), მ. ჯ ვახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" და „თეთრ კურდღელი", ნ. დუმბაძის „მარადისობ კანონი" და „კუკარაჩა" (რეჟ. თ. ჩხეიძე) ნ. ლორთქიფანიძის „სოფლის აშიკი" „რუმბი" (რეჟ. გ. იმედაძე), ვ. სპივაკ „ეს არ უნდა მომხდარიყო" (რეჟისორე ნ. შარაშიძე, თ. ჭაბუკიანი, ნ. ბეგიაშვ ლი). პირველი თოჯინური სპექტაკლი ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა" (რეჟისორე თ. შაიშმელაშვილი და მ. ლორთქიფან ძე) და სხვ. ამ სპექტაკლებში მონაწილ ობდნენ მსახიობები: ს. ზაქარიაძე, გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი, ვ. ანჯაფ რიძე, ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, ბერიკაშვილი, ს. ჭიაურელი, ე. მაღალ შვილი, კ. მახარაძე, მ. ჩახავა, გ. საკა დელიძე, მ. ჯაბანშია, გ. ქავთარაძე სხვ.). 1980 შეიქმნა სატელევიზიო თეატრ (მთავარი რეჟისორი გ. კახაბრიშვილი

საქართველოს ტელევიზიაში შექმნ ლია ფილმ-სპექტაკლები: „ძველი ვოდევ ლები" (რეჟ. გ. კანდელაკი, 1973), „ურ ელ აკოსტა" (რეჟ. რ. ჭიაურელი, 197 „სამანშვილის დედინაცვალი" (რეჟ. კანდელაკი, 1974), „გუშინდელნი" (რ რ. ხოტივარი, 1979), ვიდეოფილმ-სპექტ კლი „კავკასიური ცარცის წრე" (რეჟისო რები: გ. კახაბრიშვილი, რ. ხოტივარ 1980). რიგაში სატელევიზიო სპექტაკლ ბის საკავშ. ფესტივალზე 1981 „ჯაყ ხიზნებმა" და 1982 „კუკარაჩამ" პირველ პრიზი მიიღეს. საქართვ. ტელევიზი ციკლური და სერიული გადაცემებიდ აღსანიშნავია: „ცხრაკლიტული", „ოქრ პირი", „მზიარული სასტუმრო", „ღიმილ საათი", „ათიათასად ზრდილობა" სხვ. სატელევიზიო ფილმების შესახ იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი ბ დვითი სიტყვა. საგამომცემლო საქმე. რიოდიკა. ტელევიზია. რადიომაუწყ ლობა. ქვეთავი ტელევიზია.

სსრკ ტელევიზია ხშირად უჭერენ სოციალ. ქვეყნების ფილმებს, მ. შ. დო პოპულარობით სარგებლობს ფილმებ „ოთხი ტანკისტი და ძაღლი" (პოლო თი), „მატე ბორში" (უნგრეთი), „ბ ბაიმლერი, კამერადი" (გდრ) და ს კაპიტალ. ქვეყნებში ს. ხ. მასობრივი მუნიკაციის საერთო სისტემაშია და სახურება კაპიტალ. მონოპოლიებს, გა ცდის იმპერიალ. იდეოლოგიის ზემოქ დებას. იგი ვითარდებოდა კინოგაქირა ბასთან მძაფრ კონკურენციულ ბრძოლა ძირითადად იქმნებოდა კომერც. ნაწარ ებები — ვესტერნები, „ფილმი სა ნელებები", „კოსტიუმირებული" ის ფილმები. ამავე დროს ტელევიზია იბადებოდა ოსტატთა ნოვატორული ლოვნება. ისინი ცდილობდნენ დაედგ ფართო სოც. პრობლემების შემცვე ფილმები. ტელევიზიისათვის წერდ სცენარებს ჯ. პრისტლი, ჯ. ოზბორნი (დი ბრიტანეთი), ფ. მორიაკი, ა. მო (საფრანგეთი), პ. ჩაეისკი, ა. მილერი, როუზი (აშშ), ფ. ჰარდი (ავსტრალ და სხვ. 50-იან წლებში ტელევიზიის ნარების საფუძველზე დაიდგა კინოფი ლები „მარტი", „მარი-ოქტომბერ „თორმეტი განრისხებული მამაკაცი". ლეფილმებს შორის აღსანიშნავია „ლ ნარდო და ვინჩის ცხოვრება" (რეჟ. რ. ტელანი, იტალია). „ორსონ უელსის წ ნაკი" (რეჟ. ო. უელსი, დიდი ბრიტანეთ „ჯადოსნური ფლეიტა" და „რიტუალ (რეჟ. ი. ბერგმანი, შვეცია). ს. ხ-ში დ ადგილი უჭირავს ნაწარმოებებს, რ-უ ეძღვნება პოლიტ., ისტ.-პოლიტ. და ს პრობლემებს (ტელეფილმი „სრულ ახალი ხალხი", აშშ), კლასიკურ ლ ეკრანიზაციებს („ფორსაიტების საგ გოლზუორთის მიხედვით; „დეივიდ პერფილდი", დიკენსის მიხედვით, დ ბრიტანეთი) და სხვ.

ლიტ.: Багиров Э., Кацев Телевидение XX век. Политика. Искусст

Мораль, М., 1968; Ильин Р., Телевизионное изображение, М., 1964; Сапак В., Телевидение и мы, М., 1963.

გ. კაბაბრიშვილი.

სატელეფონო კაბელი, ქალაქის სატელეფონო კაბელი, დაბალსიხშირული სიმეტრიული *კავშირგაბმულობის კაბელი*, რ-საც იყენებენ ადგილობრივ (ქალაქისა და სოფლის) *სატელეფონო ქსელებში* უპირატესად კავშირგაბმ. სააბონენტო ხაზების გასაყვანად. ს. კ. წარმოადგენს დიდი რაოდენობის (3600 და მეტი) ჯგუფებად შეგრეხილ 0,3—0,9 *მმ* დიამეტრის სპილენძის იზოლირებულ წყვილ ძარღვებს. დენსტატარი ძარღვის პოლიეთილენის იზოლაციის სისქე ჩვეულებრივ ძარღვის დიამეტრის 0,4—0,6-ის ტოლია. ს. კ-ის გარე დიამეტრი არ აღემატება 75 *მმ*. კაბელი გაჰყავთ სტანდ. დიამეტრის (100 *მმ*) მილსადენში. ს. კ-ს იყენებენ მხოლოდ ერთარხიანი კავშირისათვის, ამიტომ ყოველ სააბონენტო დანადგართან მანაწილებელი კარადიდან ან კოლოფიდან მიყვანილია ერთი წყვილი ძარღვი. ყოველ 1000 სააბონენტო დანადგარზე საშუალოდ საჭიროა 2—4 ათ. *კმ* სატელეფონო წრედი ანუ 40—80 *კმ* პირობითი (50-წყვილიანი) ს. კ.

ლიტ.: Алексеев В. И., Топчин Б. З., Шарле Д. Л., Кабельные линии городских телефонных сетей, М., 1973.

სატელეფონო კავშირგაბმულობა, სამეტყველო ინფორმაციის გადაცემა მანძილზე სადენებში ელექტრული სიგნალების გაგზავნით ან რადიოტალღების საშუალებით. ს. კ. უზრუნველყოფს ნებისმიერი მანძილით დაშორებულ აბონენტებს შორის საუბარს. იგი ემყარება მოლაპარაკე აბონენტის ტელეფონის აპარატის მიკროფონში ბგერითი რხევებიდან ელექტრულ რხევებად გარდაქმნას, ამ სიგნალების სატელეფონო კავშირგაბმ. არხებით (იხ. *არხი კავშირგაბმულობაში*) გადაცემას და მათ გარდაქმნას მსმენელი აბონენტის ტელეფონის აპარატში მეტყველების აღმწარმოებელ ბგერით რხევებად. ტელეფონის აპარატებს შორის დროებითი შეერთების განსახორციელებლად *ტელეფონის სადგურებში* ხდება კავშირგაბმ. არხების კომუტაცია. არებობს ადგილ. (ქალაქის, სოფლის), საქალაქთაშორისო, საერთაშ., შიგასაუწყებო და შიგასაწარმოო ს. კ. ავრეთვე ს. კ. მოძრავ ობიექტებთან (როდესაც ერთი ან ორივე აბონენტი მოძრაობს ავტომობილით, თვითმფრინავით და ა. შ.). ს. კ. არის კავშირგაბმ. ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ოპერატ. საზეობა, რ-იც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. მას აფასებენ უმთავრესად ლაპარაკის გადაცემისა და მომსახურების ხარისხით.

ლაპარაკის გადაცემის ხარისხი ძირითადად ტელეფონის აპარატის, ტელეფონის სადგურისა და სატელეფონო არხის ტექ. მახასიათებლებზეა დამოკიდებული. იგი მაღალი ხარისხისაა იმ შემთხვევაში, თუ სატელეფონო ქსლის ელექტრული წრედებით გადაიცემა ადამიანის ხმის ყველა ჰარმონიკული შემდგენი (ფორმანტი) 300-იდან 3400 *ჰც* სიხშირის დიაპაზონში.

მომსახურების ხარისხი აბონენტების შეერთების ორგანიზაციის სისტემითაა განპირობებული და დროის მონაკვეთში სატელეფონო დატვირთვის ინტენსიურობის განაწილების ანალიზის შედეგად მიღებული სტატისტ. მონაცემებით განისაზღვრება.

საქალაქთაშორისო და საერთაშ. ს. კ-ში ავტომატურთან ერთად გამოყენებულია ხელისა და ნახევრად ავტომ. შეერთების მეთოდები. ავტომ. ს. კ-ის დროს აბონენტი გამოიყენებს — არსებულ კოდს და თვითონ გამოიძახებს სასურველ აბონენტს თავისი ტელეფონის აპარატის დისკური ან ღილაკური ნომერამკრეფით; ხელით შეერთება ხორციელდება ტელეფონის კომუტატორებით აღჭურვილ სადგურებში ტელეფონისტების მიერ, ხოლო ნახევრად ავტომ. შეერთების შემთხვევაში— ავტომ. საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურში ტელეფონისტის მონაწილეობით, რ-იც შეკვეთის მიღების შემდეგ აკრეფს გამოსაძახებელი აბონენტის ნომერს, ამის შემდეგ შეერთება ავტომატურად ხდება, ხელისა და ნახევრად ავტომ. შეერთების მეთოდების გამოყენებისას გვხვდება მომსახურების შეკვეთისა და დაუყოვნებელი სისტემები. შეკვეთის სისტემის გამოყენებისას შეკვეთას ღებულობს ერთი ტელეფონისტი, ხოლო დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ (შემოსული შეკვეთების რიგის მიხედვით) — მეორე ტელეფონისტი. დაუყოვნებელი სისტემის შემთხვევაში ერთი და იგივე ტელეფონისტი შეკვეთასაც ღებულობს და შეერთებასაც ამყარებს დაუყოვნებლივ ანდა მოთხოვნილი მიმართულების არხის განთავისუფლებისთანავე.

საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკის ღირებულებას განსაზღვრავენ გამომძახებელი აბონენტის ლაპარაკის ხანგრძლივობისა და მანძილის სიშორის შესაბამისად.

სსრკ-ში ლაპარაკის ღირებულების აღრიცხვისათვის ავტომ. საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურში დაყენებულია ელექტრონული აპარატურა, რ-იც ავტომატურად აღრიცხავს გამომძახებელი აბონენტის ნომერს, სატარიფო ზონის ნომერს, ლაპარაკის ხანგრძლივობასა და ღირებულებას. ეს აპარატურა სპეც. ბლანკზე ავტომატურად ბეჭდავს შეტყობინებას ლაპარაკის ღირებულების გადასახდელად. ხელის საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურებში დაყენებულია ტელეფონის მრიცხველები.

პირველი ს. კ. დაკავშირებულია ტელეფონის აპარატის გამოგონებასთან (1876, ა. *ბელი*) და პირველი სატელეფონო სადგურის აგებასთან (1878, ნიუ-ჰეივენი, აშშ). რუსეთში (პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესასა და რიგაში) პირველი საქალაქო სატელეფონო სადგურები ამუშავდა 1882. იმავე წლის მაისში ს. კ. განხორციელდა თბილისშიც (ტელეფონის აპარატმა გაზეთ „კავკაზის" რედაქცია სტამბასთან დააკავშირა). თანამედროვე ს. კ. ხასიათდება ტექ. საშუალებათა მაღალი ხარისხის ავტომატიზაციითა და უნივერსალობით. მრავალ ქვეყანაში (აშშ, ბელგია და სხვ.) ს. კ. მთლიანად ავტომატიზებულია; პოლონეთში, გდრ-ში, აშშ-ში, შვეიცარიაში და სხვ. ადგილ. ს. კ. მთლიანადაა ავტომატიზებული, ხოლო საქალაქთაშორისოს—70—99%. სსრკ-ში ავტომატიზებულია ადგილ. ს. კ-ის 92% და საქალაქთაშორისოს — 34% (ნახევრად ავტომ. შეერთების ჩათვლით). ამჟამად მოქმედ ავტომ. ტელეფონის სადგურებს (ატს) შორის უმთავრესად გავრცელებულია კოორდინატული სისტემა, ხოლო პერსპექტივაში გათვალისწინებულია კვაზიელექტრონული და ელექტრონული ავტომ. ტელეფონის სადგურების გამოყენება, რ-ებშიც სატელეფონო არხების კომუტაციისა და სატელეფონო დატვირთვის ნაკადების განაწილების პროცესები განხორციელდება პროგრამული მართვის მოწყობილობით. ეს უკანასკნელი აბონენტების მომსახურების იქითი დამატ. სახეობის დანერგვის შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა ხშირად გამოსაძახებელი აბონენტის შეკვეცილი ნომრის აკრეფა, გამოსაძახებელი აბონენტის დაკავებულობის შემთხვევაში ტელეფონის აპარატის „ლოდინზე" დაყენება, აბონენტისათვის გამომძახების შეტყობინება, როდესაც იგი სხვა აბონენტთან ლაპარაკობს, შეერთების გადართვა სხვა ტელეფონის აპარატზე, რამდენიმე აბონენტის ერთდროული შეერთების ორგანიზაცია და სხვ.

სსრკ-ში ს. კ-ის განვითარება ხდება ქვეყნის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის საფუძველზე დამუშავებულ ტექ. საშუალებათა გამოყენებით. აბონენტებს შორის ავტომ. კავშირისათვის ინერგება ნუმერაციის ერთიანი სისტემა, მაგ., საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის დასამყარებლად საჭიროა აიკრიფოს 11 ციფრი: საქალაქთაშორისო კავშირზე გასასვლელი კოდი (ციფრი 8), გამოსაძახებელი აბონენტის ზონის კოდი (3 ციფრი), ასიათასიანი ჯგუფის ნომერი, რ-შიც შედის გამოსაძახებელი აბონენტი (2 ციფრი) და აბონენტის ნომერი ასიათასიან ჯგუფში (5 ციფრი). აბონენტების შესაერთებლად ადგილ. ს. კ-ის ფარგლებში შემოღებულია 5-, 6- და 7-ნიშნა ნუმერაცია, რაც ქმნის თითოეულ ზონაში 8 მლნ. ნომერს. ს. კ-ის საშუალებანი, როგორც წესი, სახელმწ. საკუთრებაა, მაგრამ ზოგიერთ კაპიტალ. ქვეყანაში (მაგ., აშშ-ი) იგი ცალკეული კომპანიების ხელშია.

ლიტ.: ქვრივიშვილი რ., მარიამიძე მ., გელენიძე გ., საქალაქთაშორისო და სასოფლო სატელეფონო კავშირის ავტომატიზაცია, თბ., 1976; Автоматическая коммутация и телефония, ч. 1—2, М., 1968—69; Развитие связи в СССР, М., 1967.


რ. ქვრივიშვილი.

სატელეფონო მაძიებელი, ავტომატური ტელეფონის სადგურის აბონენტების შესაერთებელი საკომუტაციო (გადამრთველი) მოწყობილობა. ს. მ. არის მანქანური (იხ. *მაძიებელი ელექტრომექანიკური*), რელეური, *მრავალჯერადი კოორდინატული მაერთებელი* და ელექტრონული მაძიებელი.

სატელეფონო რელე, *ტელეფონის სადგურებში* მმართველი და სხვა მოწყობილობის ასაგებად, აგრეთვე *სატელეფონო კავშირგაბმულობის* არხების საკომუტაციოდ გამოყენებული *რელე*. მაგ., დეკადურ-ბიჯური სისტემის 10 ათ. ნომრის ტევადობის ავტომ. ტელეფონის სადგურში იყენებენ დაახლ. 70 ათ. რელეს. მეტად გავრცელებულია ელექტრომაგნ. ს. რ. ამოქმედების დროის მიხედვით ს. რ. არის სწრაფმოქმედი (ამოქმედების დრო 10 *მწმ*-მდე), ნორმალური (10-იდან 50 *მწმ*-მდე და დაყოვნებული (50 *მწმ*-იდან 1 *წმ*-მდე).

სატელეფონო ქსელი, ტექნიკურ ნაგებობათა და მოწყობილობათა კომპლექსი, რ-ის დანიშნულებაა *სატელეფონო კავშირგაბმულობის* განხორციელება. ს. ქ-ში შედის *ტელეფონის სადგურები*, *კვანძები*, *კავშირგაბმულობის ხაზები* და სააბონენტო დანადგარები. სტრუქტურული და ფუნქციური ნიშნების მიხედვით ს. ქ. არის ადგილობრივი (სოფლისა და ქალაქისა), შიგაზონური, ზონური, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო.

სსრკ ს. ქ-ის აგება ხორციელდება I და II კლასის ავტომ. კომუტაციის კვანძის (აკკ I და აკკ II) გამოყენების საფუძველზე (ნახ.). I კლასის კვანძები ერთმანეთს უერთდება პრინციპით — „თითოეული თითოეულთან". ამავე დროს თითოეული I კლასის კვანძი წარმოადგენს ე. წ. რადიალურ-კვანძური პრინციპით აგებული ს. ქ-ის ცენტრს. იგი უერთდება თავისი ზონის II კლასის კვანძებს, ხოლო ეს უკანასკნელები — თავისი ზონის ავტომ. საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურს (ასტს). ქსლის ასეთი აგებისას არხთა კონები (ნახაზზე ნაჩვენებია უწყვეტი ხაზებით) ქმნიან ქსლის არხების ძირითად სტრუქტურას, სადგურებს შორის ძირითად დამაკავშირებელ გზებს ემატება ე. წ. შემომველელი გზების სისტემა (ნაჩვენებია წყვეტილი ხაზებით).




სატელეფონო ქსელი. სატელეფონო ქსლის სქემა.

ქვეყნის ტერიტ. აბონენტების ნუმერაციის ერთიანი სისტემის მიხედვით დაყოფილია ზონებად. ყოველი ზონისათვის მიღებულია შვიდნიშნა ნუმერაცია, ამგვარად, ზონურ ქსელში შედიან განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბონენტები. ზონის ტერიტ. შეიძლება ემთხვეოდეს ოლქის ან მოკავშ. რესპ. ადმ. ტერიტო-







სატვირთველი. სატვირთველების ძირითადი სახეობები: ა—ზოგადი დანიშნულების ორკაპა ელექტროსატვირთველი; ბ—მუხლუხა ერთჩამჩიანი სატვირთველი, რომლის ჩამჩა უკანიდან განიტვირთება; გ—მკვებავიანი უწყვეტი მოქმედების მრავალჩამჩიანი სატვირთველი.

რიას. ზონური ს. ძ. (ზსქ) შედგება შიგაზონური და ადგილ. ს. ძ-გან. სოფლის ს. ძ. შეიცავს ადმ. რაიონული ცენტრების საერთო მომსახურების ს. ძ-ს და კოლმეურნეობებისა და საბჭ. მეურნ. შიგასაწარმოო კავშირის ბოლო სადგურებს (ბს). ზსქ-ის შედგენილობაში შედის აგრეთვე ზონის ტერიტორიაზე მოთავსებული 1 ან 2 ასტს, რ-თა საშუალებით ყველა ზონა ერთიანდება ქვეყნის ერთიან ს. ძ-ში. შიგაზონური ქსლის აგება ხდება რადიალურ-კვანძური პრინციპით. I კლასის კვანძის დანიშნულებას ასრულებს ასტს, რ-იც ამავე დროს საქალაქთაშორისო ს. ძ-თვის ბოლო სადგურია. ასტს-თან უშუალოდ ირთვება: სოფლის ს. ძ-ის ცენტრ. სადგურები (ცს), რ-ული ავტომ. ტელეფონის სადგურები (რატს), ქალაქის ს. ძ-ში შემავალი და გამავალი კავშირის კვანძები (შკკ და გკკ). ცს-ში ჩართულია კვანძური სადგურები (კს), ხოლო ამ უკანასკნელებში — ბს. ცალკეული ბს შეიძლება მიეერთდეს უშუალოდ ცს-საც, კს-ის გარეშე. ზონის საზღვრებს გარეთ კავშირის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ ასტს-ის გავლით. ასტს-ებისა და აკ-ების მეშვეობით სატელეფონო კავშირის დამყარება შეიძლება ავტომ. კომუტაციის ცენტრთან (აც), რ-ებიც ქმნიან საერთაშ. ქსლის სისტემას. ს. ძ-ის განვითარების ძირითადი მიმართულებებია: ტელეფონის სადგურებში შეერთებათა დამყარების პროცესის ავტომატიზაციის ამაღლება, კვაზიელექტრონული საკომუტაციო სისტემების შექმნა, ს. ძ-ში ე. წ. დინამ. მართვის სისტემის დანერგვა. ს. ძ-ის განვითარება ხდება კავშირგაბმ. ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შედგენილობაში ჩართვის გათვალისწინებით.

ლიტ.: ქვრივიშვილი რ., ბარამიძე მ., გელენიძე გ., საქალაქთაშორისო და სასოფლო სატელეფონო კავშირის ავტომატიზაცია, თბ., 1976; **Автоматическая междугородная и сельская телефонная связь**, М., 1976.

რ. ქვრივიშვილი.

სატელიტი (<ლათ. satelles, ნათ. ბრ. satellitis—მცველი, თანამგზავრი), 1. ძვ. რომში — დაქირავებული შეიარაღებული მცველი; 2. ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ ფაქტობრივად სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული სახელმწიფო. 3. გადატანითი მნიშვნელობით — ვისიმე ნება-სურვილის მონურად შემსრულებელი პირი; 4. ასტრონომიაში იგივეა, რაც დედამიწის თანამგზავრი.

სატეხელი, ლითონსაჭრელი იარაღი, რითაც ჭრიან შიგა და გარე მოდების სწორ და ირიბკბილა კბილა თელებს, ღარაკიან და ულარაკო შევრონული თელების კბილა გვირგვინებს, კბილა ღარტყებს და სხვ. ს. კბილა თელის ფორმისაა და აქვს შესაბამისად ალესილი მჭრელი ელემენტები; ამზადებენ სწრაფმჭრელი ფოლადისაგან. ს. 5 ტიპისაა.

ს-ები იყოფა 3 კლასად: აა კლასის ს-ებს იყენებენ მე-6 ხარისხის სიზუსტის კბილა თელების მოსაჭრელად, ა-ს მე-7 და ბ-ს მე-8 ხარისხის სიზუსტის კბილა თელებისათვის. კბილების მოჭრისას ს. და დასამუშ. ნამზადი საწყის წრეხაზზე სრიალის გარეშე მოგორდება. ბრუნვითი მოძრაობის გარდა ს. ასრულებს უკუქცევით-წინსვლითს (მთავარ) მოძრაობას ნამზადის ღერძის გასწვრივ, აგრეთვე წინსვლითს რადიალური მიმართულებით (მოსაჭრელი კბილის სიმაღლის ტოლი სიდიდით). ბურბუშელა აითლება ს-ის ქვევით მოძრაობისას (მუშა სვლა); უკუსვლა უქმია.

სატეხი ჩარხი, 1. *ლითონსაჭრელი ჩარხი*, რ-ითაც ამუშავებენ ძნელად მისადგომ ბრტყელ ან წრიულ გარე და შიგა ზედაპირებს, ღარებს, კილოებს. მიეკუთვნება სარანდი ჩარხების ჯგუფს. ს. ჩ-ში მთავარ (წინსვლით-უკუსვლით) მოძრაობას ასრულებს ცოცია, რ-ის სუპორტზე დამაგრებულია სატეხი. საჭრისი ან სატეხელი. დასამუშავებელი ნამზადი დამაგრებულია მაგიდაზე, რ-იც ასრულებს სწორხაზოვან ან წრიულ პერიოდულ მიწოდების მოძრაობას. ს. ჩ-ს იყენებენ ინდივიდ. ან წვრილსერიულ წარმოებაში. 2. ხის დამუშავებაში ს. ჩ-ს იყენებენ ხის დეტალებში სწორკუთხა, მრავალკუთხა, ოვალური ღარებისა და ნახვრეტების დასამუშავებლად, აგრეთვე ავეჯის, ფანჯრების, კარების, ვაგონების, გემების და ა. შ. წარმოებაში. გამოყენებული მჭრელი იარაღის ტიპის მიხედვით ს. ჩ. არის ჯაჭვური, საბურღი და სატეხსაჭრისიანი. ჯაჭვურ-სატეხ ჩარხზე მჭრელი იარაღია სხვადასხვა ზომის ჯაჭვები, რ-ებიც მოძრაობენ სპეც. მიმმართველ (საცვლელ) სატეებზე, საბურღ-სატეხ ჩარხში კი — ღრუ სატეხი, რ-ის შუაში ბრუნავს ბურღი. სატეხსაჭრისიან ჩარხებში ბრტყელი საჭრისებით სრულდება მოქანავე მოძრაობა, რის შედეგად მუშავდება ნახვრეტი და სცილდება ბურბუშელა. *კ. ნუცუბიძე.*

სატვირთავ-ჩასატვირთავი მანქანა, პერიოდული (ციკლური) ან უწყვეტი მოქმედების *ამწეკ-სატრანსპორტო მანქანა*, რ-ის დანიშნულებაა სხვადასხვა ოპერაციის შესრულება დატვირთვა-განტვირთვის, გადატვირთვის, ჩაწყობის სამუშაოთა წარმოებისას (ჩასაყრელი ან ცალობითი ტვირთის შემთხვევაში). შესასრულებელი ოპერაციის სახეობის მიხედვით ს.-ჩ. მ-ები არის სტაციონალური, გადასატრაველი და თვითმავალი. ს.-ჩ. მ-ის ამძრავს შეიძლება ჰქონდეს შიგაწვის ძრავა ან ელექტროძრავა. ს.-ჩ. მ-ები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად: სატვირთავ და გასატვირთავ მანქანებად. სატვირთავი მანქანები უმთავრესად ასრულებენ დატვირთვის ოპერაციებს, ზოგჯერ ტვირთიც გადააქვთ, გასატვირთავს კი მხოლოდ ფხვიერი ტვირთის განსატვირთავად იყენებენ. ტერმ. „ს.-ჩ. მ-ს" უფრო ფართოდაც იყენებენ, როცა გულისხმობენ დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა წარმოებისას მოხმარებულ ყველა მანქანას: *ამწეს*, გადასატან და გადასაძრავებელ *კონვეიერს*, *ელევატორს* და ა. შ.; ს.-ჩ. მ-ის სახესხვაობაა სატვირთავ-სატრანსპ. აგრეგატი, რ-საც იყენებენ მადნის მიწისქვეშა დამუშავების დროს.

სატვირთავი მანქანა სამთო, მიწისქვეშა გვირაბებში მონგრეული სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის სატრანსპორტო საშუალებებში ჩამტვირთავი მანქანა. ს. მ-ს განასხვავებენ ნაყარი ტვირთის პირმოდების ხერხის, მუშა ორგანოს ტიპისა და სატრანსპ. საშუალებებზე ტვირთის გადაცემის ხერხის მიხედვით. შემსრულებელი ორგანოს მოქმედების პრინციპის მიხედვით ს. მ. არის პერიოდული და უწყვეტი მოქმედებისა. ზოგიერთი კონსტრუქციის ს. მ-ზე შეიძლება დამონტაჟდეს საცვლელი მოწყობილობა — შაურების გასაბურღი პერფორატორიანი მანიპულატორები, მცირე გაბარიტიანი ჯგალამბრები სატაკელაჟო სამუშაოებისათვის და სხვ.

ლიტ.: Григорьев В. Н., Дьяков В. А., Пухов Ю. С., Транспортные машины и комплексы подземных разработок, М., 1976. *ა. ბეჟანიშვილი.*

სატვირთველი, თვითმავალი სატვირთავი მანქანა, რ-ის დანიშნულებაა ტვირთის წატაცების, აწევის, გადატანისა და სატრანსპორტო საშუალებებში შტაბელებად ან ნაყარად დაწყობის ოპერაციების შესრულება. პერიოდული მოქმედების ს. წაიტაცებს, ტვირთს, გადაიტანს და რიგრიგობით გასცემს, უწყვეტი მოქმედების ს. კი უწყვეტად გასცემს. განასხვავებენ ზოგადი დანიშნულების (უნივერს.) და სპეც. ს-ებს. უნივერს. ს-ს იყენებენ სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგში, იგი ემსახურება ფართო ნომენკლატურის ტვირთს, სპეც. ს. კი — შეზღუდული ნომენკლატურისას ან მუშაობს განსაკუთრებულ პირობებში (მაგ. შახტში). ს-ის მოწყობილობას ამონტაჟებენ სპეციალურად კონსტრუირებულ შასიზე ან იყენებენ ტრაქტორის, თვლიანი საწევრის, ავტომობილის შასის. ყველაზე მეტადაა გავრცელებული პერიოდული მოქმედების ს-ები (ნახ. ა, ბ) — *ავტოსატვირთველი* და ელექტროსატვირთველი, რ-თაც აქვთ ერთი ტიპის სამუშაო მოწყობილობა — მოსახსნელი ტვირთსატაცი სამარჯვების ნაკრების მქონე ტვირთამწე. ერთჩამჩიანი ს. ტვირთავს და გადააქვს ფხვიერი და ცალობითი ტვირთი, ამასთან ერთად ასრულებს მიწის, საგზაო საძირკვავ და სხვა სამუშაოებს. გადასატვირთი მასალის საშ. სიმკვრივის შესაბამისად იყენებენ ნორმალური, გადიდებული და შემცირებული ტევადობის (0,1—3 $მ^3$) ჩამჩებს. ს-ების ძრავების სიმძლავრეა 10—700 *კვტ*, განტვირთვის სიმაღლე — 2,5—4 *მ*, სატრანსპ. სიჩქარე — 12 *კმ/სთ* (მუხლუხა ს.) და 50 *კმ/სთ* (თვლიანი ს.). უწყვეტი მოქმედების ს. (ნახ., გ) თვითჩამტვირთავი თვითმავალი *კონვეიერია*, რ-ის მწარმოებლურობა (30 — 400 $მ^3/სთ$) აღემატება ერთჩამჩიანი ს-ის მწარმოებლურობას, მისი ენერგო- და ლითონტევადობა კი შედარებით ნაკლებია. უწყვეტი მოქმედების ს-ის სამუშაო მოწყობილობაა *მკვებავი*, მატრანსპორტირებელი ორგანო და სანაყარო ორგანო; მუშა ორგანოს ამძრავი არის მექანიკური, იშვიათად — ელექტრომექან. ან ელექტროჰიდრავლიკური. ზოგიერთი ტიპის მანქანაზე იყენებენ ჰიდროსტ. ტრანსმისიას.


სატვირთო ავტომობილი, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ავტომობილი. ს. ა-ების კლასიფიკაცია ხდება მათი ტვირთამწეობის მიხედვით. განასხვავებენ განსაკუთრებით მცირე ტვირთამწეობის (1,0 ტ-მდე), მცირე ტვირთამწეობის (1,0—2,0 ტ-მდე), საშ. ტვირთამწეობის (2,0—5,0 ტ-მდე), მაღალი ტვირთამწეობისა (5,0 ტ-ზე მეტი) და განსაკუთრებით მაღალი ტვირთამწეობის (არასაგზაო ავტომობილები) — საგზაო წონითი შეზღუდვებით დადგენილზე მეტი ტვირთამწეობის ს. ა-ებს. ტვირთს გადაზიდავენ როგორც ერთეული ავტომობილებით, ისე *ავტომატარებლებით*.

გაერთმთლიანების მიხედვით ს. ა. სხვადასხვაგვარია. ზოგის კაბინა მოთავსებულია ძრავას უკან, ზოგის — ძრავას თავზე ან ძრავას წინ. არის ისეთი ს. ა-ებიც, რ-თაც გარდამავალი სქემა აქვთ, ძრავა კაბინაშია შეწყვილი.

თანამედროვე ს. ა-ის ენერგეტ. დანადგარია: ძირითადად დიზელის ძრავა, შედარებით იშვიათად — *შიგაწვის ძრავა* იძულებითი აალებით და ექსპერიმენტის სახით — აირტურბინა. ტრანსმისია უმრავლეს შემთხვევაში მექანიკურია (ხელით გადასართავი), ზოგჯერ კი — ჰიდრომექანიკური (ავტომ.), საჭესამართი — მექანიკური ან მექანიკური ჰიდრომაძლიერებლით, მუხრუჭები — მექანიკური, რ-ც ამძრავი პნევმ. ან ჰიდრავლიკურია. საკმაო დარი ძირითადად არის დამოკიდებული: აქვს ფოლადის, პნევმ. ან ჰიდროპნევ. დრეკადი ელემენტები. მზიდ სისტემას წარმოადგენს დაშტამპული პროფილებისაგან მოლონივით ან შედულებით აწყობილი ჩარჩო. ს. ა-ის კაბინა შეიძლება იყოს ერთ- ან ორ- სამდგილიანი, ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს დასაწოლი ადგილიც. დანიშნულების მიხედვით ს. ა-ის ძარა სხვადასხვა ტიპისაა. ბორტული სატვირთო პლატფორმიანი, თვითმცლელი, ფურგონი და სპეც. (ცისტერნა, რეფრიჟერატორი, სხვადასხვა კომუნ. მომსახურების ძარები და სხვ.). ს. ა-ის ბაზაზე იქმნება ავტოამწეები, სახანძრო მექან. კიბე, ბეტონსარევი და სხვ.

საქართველოში ს. ა-ებს უშვებს გ. ოჯონიკიძის სახ. ქუთ. საავტ. ქ-ნა. მის მიერ გამოშვებული ავტომატარებლების შე-





სატვირთო ავტომობილი: ა—27 ტ ტვირთამწეობის თვითსაცლელი (ბელაზ-540); ბ—2,5 ტ ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილი „ჰენშელ გონომაკი" (გფრ).

ჯნილობაში შედის უნაგირა საწევარი „კაზ-6083“ — „კოლხიდა“ და ნახევრადმიმაბმელი „კაზ-717“. საწევარში კაბინა ძრავის თავზეა მოთავსებული. იგი სამადგილიანია მთლიანლითონის წინ გადასახსნელი. კაბინაში გათვალისწინებულია საძინებელი ადგილი. „კოლხიდა“ ემსახურება საქალაქთაშორისო გადაზიდვას.

ლიტ.: Грузовые автомобили, М., 1979; Автомобили КАЗ «Колхида», М., 1970. *გ. ჯაფარიძე.*

სატვირთო გემი, გემი, რ-იც განკუთვნილია სხვადასხვა სახის ტვირთის გადასაზიდად. ს. გ. არის სამშრალტვირთო, სასახმელი და კომბინირებული. გემის კონსტრ. თავისებურებებს (გემბანთა რიცხვს, სატვირთავ-გასატვირთავი ლიუების ზომას, ფორმას და სხვ.) განაპირობებს ტვირთის გადაზიდვის ხერხი (ტომრებით, კასრებით, კონტეინერებით და სხვ.) და ხასიათი.

სატვირთო მარკა, ზღვრული წყალშიგის ნიშანი, რ-იც დაიქვთ გემის ორივე ბორტზე მისი სიგრძის შუა ადგილას (ნახ.). ს. მ-ს თავზე აელებენ საგემბანო ხაზს. ს. მ-ის მდებარეობა განისაზღვრება წყალზედაპირიდან მინიმ. ბორტის სიდიდით, რ-იც რეგლამენტებულია საერთაშ. კონვენციით ს. მ-ის შესახებ (1966) ან ნაციონალური წესებით გემის დანიშნულების, ზომისა და კონსტრ. თავისებურებების შესაბამისად). სარეგისტრო ტევადობის შესამცირებლად სატვირთო გემებს მეორე გემბანის ქვეშით შეიძლება ჰქონდეს **სატონაჟო მარკა,** რ-იც აღნიშნავს გემის უდიდეს წყალშიგს მლღვისა და მტკნარ წყალში.

სატვირთო მოწყობილობა გემისა, ტვირთის დასატვირთი, გადმოსატვირთი და გადასაადგილებელი სამარჯვეებისა და მექანიზმების ერთობლიობა. საერთოდ გემები აღჭურვილია **პერიოდული ქმედების** ს. მ-ით — სატვირთო ისრებითა და ამწეებით, ზოგჯერ ბიფტებით, თანამედროვე გემებზე უფრო ხშირად იყენებენ ელექტრო- და ჰიდროამძრავიან ამწეებს. უწყვეტი **მოქმედების** ს. მ-ს (ლენტურ ტრანსპორტიორებს, ჩამჭრებიან ელევატორებს და სხვ.) ირითადად იყენებენ თვითგანტვირთვად ტვირთო გემებზე.

სატი (Satie) ერიკ ალფრედ ლესლი (17. V. 1866, ონფლერი, კალვადოსის დეპარტ., — 1. VII. 1925, არკეი, პარიზის ახლობლად), ფრანგი კომპოზიტორი. ფრ. კპ წევრი 1920-იდან. სწავლობდა სხოლა კანტორუმში“ (პარიზი, 1905—08) სერიესა და ა. რუსელთან. ამ პერიოდში შექმნა საფორტეპიანო პიესების კრებული ექსტრავაგანტური სახელწოდებებით; შბლის ფორმის 3 პიესა“, „ცხვნის ტყავები“, „სპორტი და გართობანი“ და სხვ. მასეკუთვნის ბალეტი „აღლუმი“ (1916). ს. ო „ექვსეულის“ ლიდერი. 20-იან წლებში ის ირგვლივ თავი მოიყარეს ახალზრდა ფრანგმა კომპოზიტორებმა, ე. წ. რკეის სკოლის» წარმომადგენლებმა. ის საუკეთესო ნაწარმოებია სიმფ. დრამა სოკრატე“ 4 სოპრანოსა და კამერული რკესტრისათვის (პლატონის დიალოგების ექსტზე, 1918).

სატიაგრაჰა (სანსკრ., სიტყვასიტყვით— ერთგულობა ჭეშმარიტებაში), ძალდაუტანებელი ხასიათის, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ფორმა; შეიმუშავა და ინდ. ერის წ.-განმათ. მოძრაობაში შემოიღო მ. კ. **განდი.** პირველად მან ის გამოიყენა როგორც სამხრ. აფრ. კავშირში მცხოვრები ხალხების რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. ს. ართოდ გამოიყენეს ინგლ. კოლონიზატორების წინააღმდეგ ინდ. ხალხის ეროვნმათ. მოძრაობაში (1918—47). იგი ითვალისწინებდა მასობრივ მიტინგებს, დემონსტრაციებს, ინგლ. დაწესებულებებისა და ბონ. ადმინისტრაციის ბოიკოტს, გადასახადების გადახდაზე უარის თქმას (უკიდურესი ფორმა) და სხვ.

სატივე, ხაშურის რ-ნის სოფლების *დიდი სატივისა* და *პატარა სატივის* ძვ. სახელწოდება.

სატილია (Pedicularis), მრავალწლოვან, იშვიათად ერთ- ან ორწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი შავწამალასებრთა ოჯახისა. ნახევრად პარაზიტებია. აქვთ ფრთისებრ დაყოფილი ან გაბკვეთილი ფოთლები (ქვედა—როზეტს ქმნის) და თავთავისებრ ან მტევნისებრ ყვავილედებად შეკრებილი მოვარდისფრო-იისფერი, მეწამული, ყვითელი ან თეთრი ყვავილები. 600-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, უმთავრესად ჰიმალაიზე და ჩინეთში, მხოლოდ 1 სახეობაა სამხრ. ამერიკაში. სსრკ-ში 110-ზე მეტი სახეობაა, საქართველოში 12, რ-ებიც იზრდებიან მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპ. და ალპ. სარტყლამდე, მდელოებსა და ჩამონაზვავებზე, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში. ჭაობის ს. (P. palustris) იზრდება ჭაობებსა და ტენიან მდელოებზე. მისი ყველა ნაწილი შხამიანია. შეიცავს გლიკოზიდ აუკუბინს (რინანტინს). ს-ის ზოგი სახეობა დეკორატიულია.

სატინა (სურგუნოვა) ეკატერინე ალექსანდრეს ასული [2 (14). I. 1892 — 3. X. 1974, თბილისი], რუსი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1943). პეტერბ. ა. პეტროვსკის სასცენო ხელოვნ. სკოლის დამთავრების შემდეგ (1913—15), ნოვგოროდის, ბობრუისკის, ფსკოვისა და სხვ. თეატრების მსახიობი იყო. 1915—31 მუშაობდა რუს. თეატრ. საზ-ბის არტისტული ამხანაგობის (თბილისი) დასში და წითელარმიელთა სახლის თეატრში, ხოლო 1932 — 62 — თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი იყო. ს-ს სამსახიობო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი პროფესიონალიზმი, სცენური ოსტატობა. როლები: ვასა ჟელეზნოვა (მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“), ოუდალოვა, კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, „უდანაშაულო დამნაშავენი“), ანა ანდრეევნა (გოგოლის „რევიზორი“, არკადინა (ჩეხოვის „თოლია“), ფატი (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“), ვარო (ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“) და სხვ. 1924-იდან იღებდნენ კინოში. 1918-იდან ეწეოდა პედმოღვაწეობას. დაჯილდოებულია „სახატიო ნიშნის“ ორდენითა და შედლებით.

შ. ცუცქირიძე.

სატინი [ფრანგ. satin < არაბ. ზაითუნ (ძვ. აღ-ბ სახელწოდება ჩინეთის ნავსადგურ ციუანჯოუსი, საიდანაც გაჰქონდათ ეს ქსოვილები)], ბამბის ან ქიმიური ბოჭკოსაგან სატინის ხლართებით მიღებული ქსოვილი; აქვს გლუვი პრიალა ზედაპირი, რ-ზეც სჭარბობს მისაქსელის ძაფები; გამოდის ერთ ფერად შეღებილი, დაჩითული, გათეთრებული. ს-გან კერავენ კაბებს, მამაკაცის პერანგებს, იყენებენ სასარჩულედ და სხვ.

სატირა (ლათ. satira < satura, სიტყვასიტყვით — ნარევი), მხატვრული ასახვის პროცესში გამოაშკარავება და მკაცრი გაკიცხვა იმისა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების სოციალურ, მორალურ და ესთეტიკურ იდეალებს. ს. უარყოფს ყოველგვარ დრომოჭმულ, წარმავალ, მანკიერ მოვლენას და სიცილის საშუალებით გვიჩვენებს მათ შინაგან სიცარიელესა და ცხოვრების განვითარების ძირითად ტენდენციებთან შეუსაბამობას. ს-ის ჩანასახი გვხვდება ბერძნ. ლირიკის ფორმაში — იამბიკაში. მის ფუძემდებლად თვლიან *არქილოქესა* და *სიმონიდე ამორგოსელს*, ხოლო დასრულებული სახით იგი ჩამოყალიბდა ძვ. რომში პლავტუსის, ტერენციუსის, ლუციდიუსის, იუვენალისის შემოქმედებაში.

ს. უბრალოდ კი არ უარყოფს მანკიერებას, არამედ სასაცილოს ხვეის მას. აქ კრიტიკის ფორმად სიცილი გამოდის, რ-იც ნაკლოვანებათა მხილების, უარყოფის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ს. გვხვდება ლიტ-რის თითქმის ყველა გვარსა და ჟანრში. წარმოსახვის სატირულ ხერხებსა და საშუალებებს იყენებდნენ იუვენალისი, პროპერციუსი, ლუკიანე, ბოკაჩო, ერაზმ როტერდამელი, ლაფონტენი, მოლიერი, ვოლტერი, სვიფტი, ჰაინე, სალტიკოვ-შჩედრინი, გოგოლი, ი. ჭავჭავაძე და სხვა გამოჩენილი მწერლები.

სატირული ლიტ-რის განვითარება აისახება სანახაობით ხელოვნებაშიც. სატირული ნაწარმოები უდიდეს საზ. მოვლენად იქცევა მისი სცენაზე დადგმის შემდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია არისტოფანეს, მოლიერის, ბომარშეს, ა. სუხოვო-კობილინის, ვ. მაიაკოვსკის, პ. კაკაბაძის კომედიების დადგმები.

სატირული კინოკომედიის ჟანრი ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში (ჩ. ჩაპლინის „ახალი დროება“, „დიქტატორი“; საბჭ. კინოკომედიები „წმინდა იორგენის დღესასწაული“, დ. რონდელის „დაკარგული სამოთხე“ და სხვ.). სახვით ხელოვნებაში სატირული ჟანრია კარიკატურა, რ-შიც ძირითად როლს თამაშობს ტექსტი (გ. ფირცხალავას „პარაზიტების ძიებაში“, ჯ. ლოლუას „სეზონი დაიწყო“). სატირული გრაფიკა წარმოდგენილია წიგნის ილუსტრაციით (ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ დ. ერისთავისეული ილუსტრაცია). ფერწერაში ს-ს პირდაპირი, მამხილებელი მნიშვნელობა აქვს (ფ. გოია, „სატურნი“).


ლიტ.: კიკნაძე გ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972; *ქუთელია ა.,* სიცილი და მისი სულიერი ძალა, თბ.,1961, გვ. 110—116; *Эльсберг Я. Е.,* Вопросы теории сатиры, М., 1957. *გ. ლომიძე.*

სატირი (ბერძნ. Satyros), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყის ღვთაება, *დიონისეს* მხლებელი, შფოთიანი, ავხორცი არსება, რ-საც თხის ფეხები, ყურები და კუდი აქვს. ჰომეროსთან არ იხსენიება, ჰესიოდე ს-ს წარმოადგენს ზარმაც, თაქარიან, მოქეიფე ბუნების შვილად. ს-ები ნიმფებთან ერთად დაეხეტებიან ჭალებსა და ტყეებში და თავზარს სცემენ ადამიანებს. მათი განუყრელი თანამგზავრია მუსიკა, სიყვარული და ღვინო. ცნობილია პრაქსიტელეს ქანდაკება: ხის ტოტზე დაყრდნობილი ცბიერი და ჩაფიქრებული გამომეტყველების მშვენიერი ჭაბუკი ფლეიტით ხელში. მოგვიანებით, განსაკუთრებით რომაელ პოეტებთან, ს., პანი და ფავნუსი გაიაიებულია.

„სატირიკონი“, რუსული ყოველკვირეული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი; გამოდიოდა 1908—14 პეტერბურგში. 1913-იდან „ს-ის“ ავტორთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ჟურნ. „ნოვი სატირიკონის“ გამოცემა (გამოდიოდა 1918-მდე), „ს-ის“ (№—9-იდან) და „ნოვი სატირიკონის“ რედაქტორი იყო ა. ავერჩენკო. თანამშრომლობდნენ მწერლები საშა ჩორნი, ტეფი, ა. ბუხოვი და სხვ.; გრაფიკოსები: ა. რადაკოვი, ნ. რემიზოვ-ვასილიევი (რე-მი) და სხვ. 1915—17 „ნოვი სატირიკონში“ თანამშრომლობდა ვ. მაიაკოვსკიც. ჟურნალის მახვილი პოლიტ. სატირა მიმართული იყო ეკლესიის რეაქციონერი მსახურების, შავრაზმელი მისტიკოსების და კონსერვატორი ჟურნალისტების წინააღმდეგ.

სატისფაქცია (ლათ. satisfactio — დაკმაყოფილება < satis — საკმაო და facio — ვაკეთებ), მოვალეობის მოხდა; ჯეროვნად დაფასება; ძველად: შეურაცხყოფილის დაკმაყოფილება, რაც, ჩვეულებრივ, დუელში გამოწვევის მიღებით გამოიხატებოდა.

სატკა, ქალაქი (1937-იდან) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში, ურალის დას. კალთაზე. სატკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, ჩელიაბინსკიდან 236 *კმ*. მაგნეზიტის მოპოვება და გადამუშავება. ქ-ნა „მაგნეზიტი“, მეტალ., რკინაბეტონის ნაწარმთა და რძის ქ-ნები. სამთო-კერამ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.



სატვირთო მარკა. 100 მ-მდე სიგრძის მექანიკურძრავიანი ორგემბანიანი საზღვაო გემის სატვირთო და სატონაჟო მარკები: I—სატვირთო მარკა; II—სატონაჟო მარკა; წყალზედა ბორტი: გ—ზაფხულის სატვირთო მარკის მიხედვით; ხ—სატონაჟო მარკის მიხედვით; მარკები მტკნარი წყლისათვის: მ და მტ-ზომიერ და ტროპიკულ ზონებში; მარკები ზღვის წყლისათვის: ტ — ტროპიკული, ზფ და ზმ— ზაფხულისა და ზამთრის ზომიერ ზონაში; ზჩა—ზამთრის ჩრდილო ატლანტიკაში.




სატილია. ჭაობის სატილია.



ე. სატინა.

სატკეპნელა, გრუნტის, ბეტონის ნარევისა და მისთ. გასამკვრივებელი ხელით სამართი მანქანა, რ-საც იყენებენ განწერტებული მცირე მოცულობის სამუშაოების შესრულებისას, ძნელმისადგომ და შეზღუდულ ადგილებში, საყალიბო ნარევის გასამკვრივებლად სამსხმელო წარმოებაში. სსრკ-ში დამზადებული ელექტრული ს-ების მასაა 150 *კგ*-მდე, მაქს. მწარმოებლურობა — 80 $მ^3/სთ$-მდე. სამსხმელო წარმოებაში იყენებენ უმთავრესად პნევმ. ს-ებს, რ-თა მასა 25 *კგ*-მდეა, მწარმოებლურობა კი — 20 $მ^3/სთ$-მდე.

სატკეპნი მანქანა, ტკეპნით გრუნტის გასამკვრივებელი სამშენებლო მანქანა, რ-საც იყენებენ მიწის ნაგებობათა მშენებლობის დროს. მოქმედების პრინციპის მიხედვით განასხვავებენ ს. მ-ებს, რ-თაც აქვთ თავისუფლად მცარდნი [ჩაქუჩიანი მანქანა, მცარდნტვირთიანი სატკეპნი (ნახ. 1), ექსკავატორზე, ამწეზე, ტრაქ-



სატკეპნი მანქანა. მცარდნტვირთიანი სატკეპნი.

ტორზე მდებარე სატკეპნი ფილები] და იძულებიო მცარდნი (დიზელ-სატკეპნელა, ელექტრული ან პნევმ. ამძრაყის მქონე მანქანები) მუშა ორგანო. ს. მ. არის აგრეთვე თვითმავალი, მისაბმელი და კიდული, ისეთი მუშა ორგანოს მქონე, რ-იც ასრულებს 3-იდან 50-მდე (დაბალსიხშირული) და 400-მდე (მაღალსიხშირული) დარტყმას 1 *წთ*-ში.

სატლეჩი, ქვემოთში პანჯნადი, მდინარე პაკისტანში, ინდოეთსა და ჩინეთში. მდ. ინდის ყველაზე დიდი მარცხ. შენაკადი. სიგრძე დაახლ. 1500 *კმ*, აუზის ფართ. 395 ათ. $კმ^2$. სათავე აქვს კაილასის ქედზე (ჩამონადენის ნაწილი მოდის მანასაროვარის და ლანგაკის ტბებიდან). საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყლის საშ. წლ. ხარჯი ქ. რუპართან დაახლ. 500 $მ^3/წმ$, მაქს. — დაახლ. 20 ათ. $მ^3/წმ$. ქვემოთში იყენებენ სარწყავად. წყალდიდობის დროს სანაოსნოა ცალკეულ მონაკვეთებზე. ს-ზეა დიდი ჰიდროტექ. კომპლექსი (ინდოეთი). მდინარის ნაპირებზეა ქ-ები ნანგალი, ფილაური (ინდოეთი), ბაჰავალპური (პაკისტანი).

სატოლო, მთა ერუშეთის ქედზე, სიმაღლე 2215 *მ*. აქვს ქვედაპლიოცენური ასაკის ვულკანური ქანებით აგებული გუმბათისებრი თხემი და სუსტად დანაწევრებული კალთები. შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

დ. ტაბიძე.

სატოფე ტბორი, იხ. *ტბორული მეთევზეობა.*

სატრანსპორტო ბალანსი, ტვირთის შემოზიდვა-გაზიდვის ბალანსი, დგება ცალკეული საწარმოების, სადგურების, ნავსადგურების, გზების, რ-ნების მიხედვით. სსრკ ცენტრ. სტატისტ. სამმართველო ყოველწლიურად აქვეყნებს მოკავშირე რესპუბლიკების ს. ბ-ის მონაცემებს. იქ ნაჩვენებია გაგზავნილი და მიღებული ტვირთის მოცულობა, აღრიცხულია შიდარესპ. გადაზიდვა, სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ტვირთების გაგზავნა, მიღება და ა. შ. აღნიშნული მონაცემები ნაჩვენებია არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, არამედ ტრანსპ.სახეობათა მიხედვითაც (რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო).

სატრანსპორტო განათლება, ტრანსპორტის სხვადასხვა სახის (რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო და სხვ.) დაპროექტების, კონსტრუირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დარგში ინჟინრების, ტექნიკოსებისა და კვალიფიციური მუშების მომზადების სისტემა.


ს. გ. რუსეთში XVIII ს-ში ჩაისახა. ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ სატრანსპ. ფაკ-ტები იხსნებოდა უმაღლეს ტექ. სასწავლებლებში. 1985 სსრკ-ში ს. გ-ს იღებდნენ 130 უმაღლეს სასწავლებელში, რომელთაგან 45 სპეციალიზებული იყო.


სატრანსპ. სპეციალობათა სასწ. გეგმებით გათვალისწინებულია ზოგადსამეცნ., ზოგადსაინჟინრო და სპეც. (მომზადების პროფილით) დისციპლინების შესწავლა. სავალდებულოს გარდა არის ალტერნატიული და საფაკულტატო დისციპლინებიც. სწავლების ვადა 5—6 წელია.


1985 ტექნიკოსებს ამზადებდა 400 საშ. სპეც. სასწავლებელი, მ. შ. 200-მდე სპეციალიზებული სასწავლებელი (იხ. ტომი *საქართველოს სსრ*, თავი სახალხო განათლება). კვალიფიციურ მუშებს ტრანსპორტისათვის ამზადებდა 300 პროფტექ. სასწავლებელი. სოციალ. ქვეყნების ს. გ-ის სისტემა უახლოვდება სსრკ-ისას.

კაპიტალ. ქვეყნებში ს. გ-ის დიდი ცენტრებია მასაჩუსეტსის ინ-ტი (აშშ), ლონდონისა და ბირმინგემის უნ-ტები (დიდი ბრიტანეთი), ხიდებისა და გზების ეროვნ. სკოლა პარიზში, დარმშტადტისა და ჰანოვერის ტექ. უნ-ტები (გფრ), ტოკიოს, ჰოკაიდოს უნ-ტები (იაპონია) და სხვ.

სატრანსპორტო გახსნა, სატრანსპორტო კვანძი, ნაგებობათა კომპლექსი რამდენიმე მიმართულების გზათა გადაკვეთის ადგილზე ტრანსპორტის სამოძრაოდ. აწყობენ ერთ ან რამდენიმე დონეზე. ს. გ-ის სისტემაში შეიძლება შეღიოდეს ხელოვნური ნაგებობანი: ყრილი, ნათხარი, გზაგამტარი, გვირაბი და სხვ. გავრცელებულია ს. გ. სხვადასხვა დონეზე მდებარე 2 მიმართულების გზების გადაკვეთისას. მოძრაობა ხორციელდება რეგულირების გარეშე (გავლის პრიორიტეტის ჩვენებით: ნიშანი „მთავარი გზა"), შუქნიშნით ან წრიული მოძრაობით. გზების ერთ დონეზე გადაკვეთისას ს. გ-ს სხვადასხვა დონეზე აწყობენ I, II და III კატეგორიის *საავტომობილო გზებზე*. გზათა ურთიერთგანლაგების მიხედვით ს. გ. შეიძლება წარმოადგენდეს გადაკვეთას, მირთვას ან განშტოებას. ს. გ. ზრდის საავტ. გზის გამტარუნარიანობას, მოძრაობის უსაფრთხოებას.







სატრანსპორტო გახსნა. ნახ. 1. სატრანსპორტო გახსნის სქემები: ა—გადაკვეთა სამყურას ფოთლისებურად; ბ—T-სებრი მირთვა; გ—წრიული განშტოება.

სატრანსპორტო გვირაბი საქალაქო, სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (ავტომობილი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) გასატარებელი გვირაბი. ს. გ-ს იყენებენ აგრეთვე რთული რელიეფის პირობებში. აგებენ მას არამთაგორიან ქ-ებშიც სატრანსპ. საშუალებათა სხვადასხვა დონეზე გასატარებლად. ს. გ-ები აგებულია მსოფლიოს მრავალ ქალაქში, მ. შ. სსრკ-ში მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში და ა. შ.; ს. გ-ს აგებენ დახურული (გორაკის გადაკვეთისას), ღია ან შერეული ხერხით (რთული რელიეფის დროს). ს. გ-ის მონაკვეთის (მუდმივი სამაგრის) კონსტრუქცია შეიძლება იყოს თაღისებრი (დახურული ხერხის გამოყენებისას) და ჩარჩოსებრი. აგებენ მას მონოლითური ან ასაწყობი ბეტონისა და რკინაბეტონისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ს. გ-ის წყლისაგან დაცვას და განათებას.



სატრანსპორტო გახსნა. ნახ. 2. სატრანსპორტო გახსნა სამ დონეზე საგიოლოეოს ვაგზალთან მოსკოვში.

საქალაქო ს. გ-ის მაგალითია 1975 თბილისში, მეტეხთან, მტკვრის მარცხ ნაპირზე, აგებული 2 ურთიერთპარალე ლური გვირაბი, თითოეული მათგანი უზ რუნველყოფს სატრანსპ. საშუალებათა მოძ რაობას 2 რიგად ერთი მიმართულებით

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი დარგი, რ-ის დანიშნულებაა სატრანსპორტო საშუალებათა (ლოკომოტივების, ვაგონების, ავტომობილების, ავტომისაბმელების) დამზადება. ს. მ-ის პროდუქცი ფართოდ მოიხმარება მწარმოებელ ქვეყანაში, ამავე დროს იგზავნება საექსპორტოდ

რევოლუციამდელ რუსეთში ს. მ. მოგ ვიანებით განვითარდა. მაგ., ავტომობილ ბის გამოშვება მხოლოდ 1910-იდან დაიწყ პეტერბ. რუს.-ბალტიის ქ-ნაში. ამ წელ გამოუშვეს 10 მსუბუქი ავტომობილი. მო მდევნო 6 წლის განმავლობაში (1910—15 დამზადდა 451 მსუბუქი და 10 სატვირთო ავტომობილი. სსრკ-ში 1970 გამოშვებულ იყო 916,1 ათ. ავტომობილი, მ. შ. 524, ათ. მსუბუქი ავტომობილი და 47,4 ათ. ა ტობუსი. 1979 გამოშვებული ავტომობი ლების საერთო რიცხვმა 2173 ათ-ს მიაღ წია. სსრკ-ში ს. მ. განსაკუთრებით სწრა ფად განვითარდა 1940—81 (იხ. ცხრ.).

საქართველოში 1945 დაიწყო ქუთ. ორჯონიკიძის სახ. საავტ. ქ-ნის მშენებ ლობა. 1951 მისი კონვეიერებიდან ჩამოვი და პირველი სატვირთო ავტომობილ მომდევნო წლებში გამოუშვეს სხვადასხვ მარკის სატვირთო ავტომობილები: „ზი 150", თვითმცლელი „კაზ-585", ცემენტ მზიდი „კაზ-601", თვითმცლელი „კა 600", ავტოსავენარი „კაზ-129". ამ ბოლ წლებში ქ-ნა სპეციალიზებულია უნაგირ საწევრების „კაზ-608" და ნახევარავტო მისაბმელების გამოშვებაზე. სატვირთ ავტომობილების 33% რესპ. გარეთ გადი ამ ავტომობილებს ფართოდ იყენებენ ჩვ ნი ქვეყნის ბევრ რ-ნში.

საქართვ. ს. მ-ის ერთ-ერთი მნიშვნ ლოვანი ქვედარგია ელექტრომავლები მშენებლობა. 1960 თბილ. ელმავალსაშ ნებელმა ქ-ნამ გამოუშვა 87 მაგისტრ. ე მავალი, რ-თა საერთო სიმძლავრე 4 ათ. ცხ. ძალას უდრიდა, 1981 — 1 ელმავალი (საერთო სიმძლავრე 939 ა ცხ. ძალა).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქ. ბათუმ გემთსაშენი საწარმოს ბაზაზე 1947 შეი მნა გემთსაშენი ქ-ნა, რ-იც უშვებს წყალ ქვეშა ფრთიან სწრაფმავალ კატერებს. ფოთის ს. ორჯონიკიძის სახ. გემთშემკ თებელი ქ-ნა უშვებს წყალქვეშა ფრთი სწრაფმავალ „კომეტის" ტიპის სამგზა რო კატერებს. 1980 ქ-ნამ დაამზადა გაუ ჯობესებული, უფრო სწრაფი და ტევად წყალქვეშა სამგზავრო თბომავალგე („კოლხეთი").

ლიტ.: საბჭოთა საქართველოს ეკონომი, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივებ თბ., 1975.

გ. ბუაჩი

სატრანსპორტო მშენებლობა, მშ ნებლობის ერთ-ერთი დარგი; მოიცა ყველა სახის ტრანსპორტის ნაგებობათა მოწყობილობათა მშენებლობას. ს. მ-ობიექტებია: სარკინიგზო ხაზები, საავ გზები, მაგისტრ. მილსადენები (ნავთობ ნავთობპროდუქტების, აირის, პნევმოკო ტეინერული), სანაოსნო არხები, სამრეწ საწარმოთა მისასვლელი სარკინიგზო ლ ანდაგები, ხიდები, გვირაბები, გზაგ ტარები, სადგურები, სატვირთო ეზოე და საწყობები, ვაგზლები, აეროდრომე გარაჟები, დეპოები, ნავსადგურები მისადგომები, საქალაქო ელექტრონ ტრანსპ. (მეტროპოლიტენის, ტროლეი სის, ტრამვაის) გზები, საბაგირო გზ მიწისპირა (ფუნიკულიორი), კიდული სხვა ნაგებობანი.

სსრკ-ში ს. მ-ის ძირითადი პრინცი ბია: მშენებლობის ინდუსტრიალიზაც სამუშაოების კომპლ. მექანიზაცია, მო

ვე ტექნოლ. პროცესების დანერგვა, მშე-
ბლობის ნაკადურობა და უწყვეტობა.
დუსტრიალიზაცია გულისხმობს სტანდ.
, ტიპობრივი დეტალების, კვანძებისა და
ინსტრუქციების დამზადებას სპეციალი-
ებულ ქ-ნაში და პოლიგონებზე და მათ
ქანიზებულ აწყობას სამშენებლო მოედ-
ბზე, რაც აჩქარებს მშენებლობას და
მკვებესებს მშენებლობის ხარისხს.

სსრკ-ში უდიდესი მასშტაბის სამუშა-
ები ჩატარდა ბაიკალ-ამურის სარკინიგ-
ო მაგისტრალის გასაყვანად. მისი სიგ-
ე 3145 *კმ*-ია.

საქართველოში 1980 ნოემბერში დამ-
ავრდა და მწყობრში ჩადგა 425 *კმ*, სი-
ხძის ნავთობსადენი, რ-ის საშუალებით
მგორის ნავთობი მთლიანად ბათუმის
ვთობგადასამუშ. ქ-ნისაკენ მიედინება.
ნდება 150 *კმ* სიგრძის მარაბდა—ახალ-
ლაქის რკინიგზის ხაზი, რ-საც რესპ.
მხრ. რ-ნებისათვის უდიდესი მნიშვნე-
ობა ექნება. შენდება და მწყობრში დგე-
მრავალი კიდული საბაგირო გზა.

ლიტ.: Народное хозяйство Грузинской ССР. Статист. сб., Тб., 1979. *გ. ბუაჩიძე.*

ატრანსპორტო სამართალი, იმ იური-
ული ნორმების ერთობლიობა, რ-ებიც
ანსაზღვრავენ მიმოსვლის გზებისა და
ატრანსპორტო საშუალებების გამოყენე-
სთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.
ს. აწესრიგებს ტვირთისა და მგზავრე-
ის გადაზიდვა-გადაყვანის შესახებ ხელ-
კრულებებიდან გამომდინარე ურთიერ-
ობებს. იგი მოიცავს გადაზიდვების დაგეგ-
ისა და ორგანიზაციას, ქონებრივი პასუ-
სმგებლობის და აგრეთვე სარწმუნ.
შუალებების სხვა მიზნით (თევზის რეწ-
ს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვე-
ს და სხვ.) გამოყენებასთან დაკავშირე-
ული ურთიერთობების მარეგულირებელ
ორმებს. საბჭ. ს. ს. აწესრიგებს სარკინი-
ო, სამდ., საზღვ., საჰაერო და საავტ. გა-
ზიდვებს, აგრეთვე მაგისტრ. მილგაყვა-
ობით (გაზი, ნავთობპროდუქტები)
დაზიდვებს. გადაზიდვების აღნიშნულ
ხეობათა მიხედვით მოქმედებენ შემდეგი
ორმატიული აქტები: სსრკ რკინიგზების
სდება (1946), სსრკ შიდა წყლის ტრანსპ.
სდება (1955), სსრკ საჰაერო კოდექსი
961), სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსი
968) და საქ. სსრ საავტ. ტრანსპ. წეს-
ება (1969). რაც შეეხება მაგისტრ. მილ-
ყვანილობის ტრანსპორტს, მისი მოწეს-
რიგება ხდება მიწოდების (მომარაგების)
ლშეკრულების მარეგულირებელი ნორ-
ებით. ს. ს-ის ნორმებს ითვალისწინებს
რეთვე სამოქალაქო სამართ. კანონმდებ-
ობის საფუძვლები და მოკავშირე რეს-
ბლიკათა სამოქალაქო სამართ. კოდექ-
ბი (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ.,
. 367—379). სსრკ-ში ყველა სახის
რანსპორტი სახელმწ. (საერთო-სახ.)
კუთრებაა.

ატრანსპორტო ტარიფები, სამგზავრო
ა სატვირთო მომსახურების ღირებულე-
თა სისტემა, რ-შიც მოცემულია სატვირ-
ო და სამგზავრო გადაზიდვის საფასური
ა ის გადასახდელები, რ-ებიც ტრანსპორ-
ირების პროცესებთანაა დაკავშირებული.
სრკ-ში მოქმედი ტარიფები შემოღებულია
967 წ. 1 ივლ-იდან. სატვირთო გადაზიდ-
ს საფასური მოცემულია ტვირთის სახე-
ბის მიხედვით. სარკინიგზო, საზღვაო და
ჰდ. ტრანსპორტისათვის შედგენილია
ვირთების საერთო ერცელი ნომენკლა-
ურა, რ-შიც ტვირთები დაყოფილია 11
გუფად: 1. სოფ. მეურნ. პროდუქცია; 2.
ფის მასალები; 3. ბუნებრივი ნედლეული
ა საშენი მასალები; 4. საწვავენერგეტ.,
რეწვ. პროდუქცია; 5. სამრეწვ. წარმოე-
ის მასალები და საშენი ნაკეთობანი; 6.
რჩნის დამუშავებისა და ქალალდის მრეწვ.
პროდუქცია; 7. ქიმ. პროდუქტები; 8. ლი-
თონები, ლითონის ნაკეთობანი, მანქანები,
მოწყობილობანი და ტრანსპორტირების
საშუალებანი; 9. კვების მრეწვ. პროდუქ-
ცია; 10. მსუბუქი მრეწვ. პროდუქცია; 11.
სხვა მასალები და საგნები.

სარკინიგზო ტრანსპორტისათვის შემუშავებულია ტვირთის გადაზიდვის საფასურის გაანგარიშების სატარიფო სქემები. წვრილი გზავნილებისათვის, ვაგონობით გზავნილობისათვის, ჩასასხმელი ტვირთისა და კონტეინერული გადაზიდვისათვის.

საზღვაო ტრანსპორტზე ტვირთის გადაზიდვა სსრკ-ში ხორციელდება მცირე კაბოტაჟით ერთი ზღვის ფარგლებში და დიდი კაბოტაჟით — ზღვებს შორის და საზღვარგარეთ. მცირე კაბოტაჟის ტარიფები დაყოფილია სარტყელებად. I სარტყლის სიგრძე 30 მილია (1 საზღვაო მილი 1,852 *კმ* უდრის), დანარჩენ სარტყლებში კი — 10, 20, 40 და 50 მილი. დიდი კაბოტაჟის ყველა სარტყელი 100 მილს უდრის. მგზავრობის საფასური განისაზღვრება მგზავრობის სიშორისა და კომფორტაბელობის მიხედვით. კაიუტები I და II კლასისაა. ყველაზე იაფია ადგილი გემბანზე.

საავტომობილო ტრანსპორტის ტარიფები უფრო მარტივადაა შედგენილი და ტვირთის ნომენკლატურაც მოკლეა. ტვირთები დაყოფილია 5 კლასად, რაც უფრო მეტია ტვირთის მოცულობითი წონა (1 $მ^3$-ის წონა ტონობით), მით უფრო ნაკლებია კლასი და საფასური და, პირიქით, რამდენადაც ნაკლებია მოცულობითი წონა, იმდენად მეტია კლასი და საფასური. საერთო ტარიფების ცხრილი შედგენილია კლასების მიხედვით (სულ 5 კლასია), ტვირთის გადაზიდვის საფასური მოცემულია ყველა კილომეტრისათვის 100 *კმ*-ის ფარგლებში. ამაზე მეტ მანძილზე ყოველ *ტ-კმ*-ზე საფასური იზრდება ტვირთის კლასის მიხედვით.

ცალკე ტარიფებია რეგულარული საქალაქთაშორისო გადაზიდვისათვის.

სამგზავრო გადაზიდვის ბილეთის ფასი განისაზღვრება მანძილის სატარიფო სარტყლების მიხედვით, ამასთან რბილსავდომიანი და გადასაწევი საზურგის მქონე ავტობუსებში საფასური მეტია.

სამოქალაქო ავიაციის ტრანსპორტზე ტარიფი საერთოა ყველა ტიპის თვითმფრინავისათვის, მაგრამ საჰაერო ხაზები გაყოფილია ორ ჯგუფად. II ჯგუფის ხაზებზე ბილეთის საფასური 50%-ით მეტია. მგზავრობის მანძილი დაყოფილია ზონებად. I ზონაშია მანძილი 40 *კმ*-მდე. მომდევნო ზონების მანძილი თანდათან მატულობს. სატარიფო ცხრილებში მოცემულია აგრეთვე ფოსტის, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვის საფასური 1 *კგ* ტვირთზე.

სამოქალაქო ტრანსპორტზე მგზავრობის საფასური დაწესებულია მთელი მარშრუტის ან მისი ზონების მიხედვით. ტარიფი, შედგენილი კილომეტრის მიხედვით მხოლოდ მსუბუქ ტაქსიზე გამოიყენება.

საზღვარგარეთ ს. ტ. სხვადასხვა პრინციპზეა აგებული. პოლონეთში სატვირთო გადაზიდვის სატარიფო სისტემა ითვალისწინებს რკინიგზის, საავტ. და წყლის ტრანსპ. ტარიფების კოორდინაციას. საერთაშ. სატვირთო გადაზიდვაზე ცალკე ტარიფებია შემუშავებული პოლონეთ-იუგოსლავიასა და პოლონეთ-შვეიცარიას შორის. გდრ-ში უფლება აქვთ შეცვალონ რკინიგზებზე ტარიფები საერთო ტარიფების ფარგლებში. *გრ. ბუაჩიძე.*

სატრანსპორტო ხომალდი კოსმონავტიკაში, კოსმოსური საფრენი აპარატი, რ-ის დანიშნულებაა რეისების შესრულება (ფრენა) დედამიწისა და ხელოვნურ კოსმ. ობიექტებს (დედამიწის ახლო პილოტირებული ხომალდები, ორბიტალური სადგურები, ავტომ. აპარატები) შორის ან სხვადასხვა ორბიტაზე მყოფ ობიექტებს შორის. ს. ხ-ის ძირითადი დანიშნულებაა დედამიწის ახლო ორბიტაზე ავტომ. და პილოტირებული ობიექტების მიტანა და დედამიწაზე დაბრუნება, სასარგებლო ტვირთის გადასაზიდი აპარატების უფრო მაღალ ორბიტებზე ან მთვარისა და პლანეტებისაკენ ტრაექტორიაზე გაყვანა. ს. ხ-ის ეკიპაჟს შეუძლია ორბიტალური კოსმოსური ობიექტების დათვალიერება, რემონტის, სამეცნ.-ტექ. კვლევის ჩატარება და სხვ.



სატრანსპორტო გვირაბი თბილისში, მეტებთან.

ს. ხ. შეიძლება იყოს ავტომ. ან პილოტირებული, ერთჯერადი ან მრავალჯერადი გამოყენების. ერთჯერადი გამოყენების ს. ხ-ებია „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ჯგუფის ხომალდები. მრავალჯერადი გამოყენების ს. ხ-ებით მომავალში შეიცვლება რაკეტა-მატარებლები და ერთჯერადი გამოყენების კოსმ. ხომალდები.




სატრაპეზო. უდაბნოს მონასტერი. X ს. დაეით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი.

სატრაპეზო, ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა. შეიცავს ბერების საერთო ტრაპეზისათვის გამიზნულ დარბაზსა და სამლოცველოს, აგრეთვე დამხმარე სათავსებს (სამზარეულო, საწყობი და სხვ.). საქართველოში ს-ები მონასტრების დაარსებასთან ერთად გაჩნდა. ცნობილია დავითგარეჯის მონასტრების ს-ები, რ-ებშიც შემონახულია მონუმ. ფერწერის ბევრი დიდებული ნიმუში (*ბერთუბანის მონასტერი, უდაბნო*), *აგარის მონასტრის* ს., *ოშკის* მონასტრის სემინარია-სატრაპეზო და სხვ.


სატრიუმფო თაღი, სატრიუმფო კარი, რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად აგებული დროებითი ან უძველივი მონუმენტური თაღოვანი კარი. ს. თ. ერთ- ან სამმალიანია, გადახურულია ნახევრად ცილინდრული კამარებით, დაგვირგვინებულია ანტაბლემენტით ან ატიკით, შემკულია ქანდაკებებით, რელიეფებითა და სამახსოვრო წარწერებით. ს. თ. თავდაპირველად ძვ. რომში ააგეს გამარჯვებულთა საზეიმო მსვლელობისათვის [ტიტუსის (81), სეპტიმიუს სევერუსის

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის განვითარება სსრ კავშირში

სატრანსპორტო საშუალებათა სახეობა	1940	1965	1970	1976	1981
მაგისტრალური თბომავლების სექციები, ც. .	5	1485	1485	1375	1357
მაგისტრალური ელექტრომავლები ც.	9	641	323	395	430
სატვირთო მაგისტრალური ვაგონები, ათ. ც. .	30,9	36,6	58,3	69,9	61,0
სამგზავრო მაგისტრალური ვაგონები, ც. . . .	1051	1991	1791	2090	1915
ავტომობილები, ათ. ც. .	145,4	616,3	916,1	1964	2198
ავტომისაბმელები ც. . .	40,5	92,9	124,0	158	177
მეტროპოლიტენის ვაგონები, ც.	6	140	250	300	312
ტრამვაის ვაგონები, ც. .	252	1245	783	1065	101,4
ტროლეიბუსები, ც. . . .	74	1540	2238	1900	2219



სატუმბი აგრეგატი. ნახ. 1. წყლის ასაწევი და დასაჭირხნი „მანქანა“; 1 — წყლის ბორბალი; 2 — წყლის ასაწევი ტუმბო; 3 — წყლის დასაჭირხნი ტუმბო; 4—მილი.




სატუმბი აგრეგატი. ნახ. 2. ეორტინგტონის სისტემის ორთქლის პირდაპირმოქმედი დგუშიანი ორცილინდრიანი სატუმბი აგრეგატი თანამედროვე სახით: 1—დგუშიანი ტუმბოს ცილინდრებიანი და სარქველებიანი ბლოკი; 2—ტუმბოსა და ორთქლის ძრავას დგუშების მაერთებელი ჭოკი; 3—ორთქლის მანქანის ცილინდრებიანი და მკვეთარებიანი ბლოკი.

(203), კონსტანტინეს (315) თაღები]. ამავე ტიპისაა პარიზში კარუზელისა (1806, არქიტექტორები შ. პერსიე და პ. ფონტენი) და ვარსკვლავის (1806—37, არქიტ. ჟ. შალგრენი) მოედნებზე აგებული ს. თ-ები.

სატუ-მარე (Satu Mare), ქალაქი ჩრდ. რუმინეთში, მდ. სომეშის ნაპირზე. სატუ-მარეს ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 111 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. სამთო და სატრანსპ. მოწყობილობის, გაზქურების, საფეიქრო, ტყავის, ავეჯის წარმოება.

სატუ-მარე (Satu Mare), ჟუდეცი ჩრდ.-დას. რუმინეთში, შუა დუნაის ვაკეზე და ნაწილობრივ აღმ. კარპატებისა და დას. რუმინეთის მთების კალთებზე. ფართ. 4,4 ათ. $კმ^2$. მოსახლ. 400 ათ. კაცი (1979). ადმ. ც. — ქ. სატუ-მარე. განვითარებულია მანქანათსაშ., კვების, საფეიქრო, სამკერვალო, ხის დასამუშ., ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, შაქრის ჭარხალი, სელი, კანაფი, კარტოფილი, ბოსტნეული. განვითარებულია მებაღეობა. მესაქონლეობა.

სატუმბი აგრეგატი, მოწყობილობათა ერთობლიობა, რ-იც შედგება *ტუმბოს*, ძრავასა და გადამცემი მექანიზმისაგან. ს. ა. ორგვარია: სტაციონარული (დგამენ საძირკველზე, ჭაბურღილში და სხვ.) და გადასაძრავებელი (ამონტაჟებენ სავალ ურიკაზე, მასიზე და ა. შ.). ძრავას ტიპის მიხედვით განასხვავებენ ელექტროსატუმბ (ელექტროძრავიან), ტურბოსატუმბ (ტურბინიან), დიზელ- და ძრავასატუმბ (შიგაწვისძრავიან) და სხვა ს. ა-ებს. პირველი ს. ა-ის (1613)



სატუმბი დანადგარი, რომელსაც აქვს ერთი სატუმბო აგრეგატი (სითხის შეწოვის სიმაღლე დადებითია): 1 — მიმღები რეზერვუარი; 2 — მიმყვანი მილსადენი; 3 — სადაწნეო რეზერვუარი; 4 — გამომყვანი მილსადენი; 5 — ტუმბო; 6—ელექტროძრავა; h_g — სითხის მიწოდების სრული სიმაღლე; $h_{g,შ}$ — შეწოვის სიმაღლე; $h_{g,დ}$ — დაჭირხნის სიმაღლე; P_1 — წნევა მიმღები რეზერვუარის სითხის ზედაპირზე; P_2 — წნევა სადაწნეო რეზერვუარის სითხის ზედაპირზე; V — შემწოვ მილსადენში წნევის საზომი ხელსაწყო (ვაკუუმმეტრი), M — საჭირხნ მილსადენში წნევის საზომი ხელსაწყო (მანომეტრი).

ამძრავი იყო წყლის ბორბალი (ნახ. 1), მოგვიანებით კი — წყლის ორთქლისა და ატმ. ჰაერის წნევა. XX ს. დასაწყისიდან ფართოდ გავრცელდა ელექტროამძრავიანი ს. ა.; მცირე სიმძლავრის ს. ა-ს აქვს მონოპლოკური კონსტრუქცია და კორპუსი, რ-შიც ძრავასა და ტუმბოს ზოგიერთი კვანძი საერთოა, მაგ., ორთქლის პირდაპირმოქმედი დგუშიანი ორცილინდრიანი ტუმბო (ნახ. 2) და სხვ. არამონობლოკური კონსტრუქციის ტუმბოსა და ძრავას ერთმანეთს უერთებენ *ქუროთი* ან ლილვების ბრუნვის სიჩქარეთა მუდმივი ან რეგულირებადი ფარდობის მქონე გადამცემი მექანიზმით. იყენებენ ღვედური გადაცემის მექანიზმებს, რ-თაც აქვთ უბრალო ან სოფებუროვანი შკივები, ინდუქციურ (ელექტრომაგნ.) სრიალა ქუროებს და სხვ. ს. ა. *სატუმბი დანადგარისა* და *სატუმბი სადგურის* შემადგენელი ნაწილია.

სატუმბი დანადგარი, მოწყობილობათა კომპლექსი, რ-შიც შედის *სატუმბი აგრეგატი*, მიმყვანი (შემწოვი) და გამომყვანი (საჭირხნი) მილსადენები, რეზერვუარები სითხისათვის, არმატურა (საკვალთები და მისთ.), აგრეთვე საზომ-საკონტროლო და სხვა ხელსაწყოები. ს. დ. არის მუდმივი, დროებითი და მოკლევადიანი. დანიშნულების მიხედვით იგი შეიძლება იყოს სამშენებლო, წყალსადენის, საკანალიზაციო და სხვა სახისა. განასხვავებენ აგრეთვე განცალკევებულად, პარალელურად და თანამიმდევრულად მომუშავე ტუმბოების მქონე ს. დ-ებს (იმ შემთხვევაში, თუ მათ რამდენიმე აგრეგატი აქვთ).

ს. დ-ის უმნიშვნელოვანესი ტექ. მაჩვენებლებია (ნახ.) შეწოვისა და დაჭირხნის გეომ. სიმაღლეები, რ-თა ჯამი შეადგენს სითხის მიწოდების სრულ სიმაღლეს, წნევა სითხის ზედაპირზე მიმღებ და სადაწნეო რეზერვუარებში, მიმყვანი და გამომყვანი მილსადენების დიამეტრები და სიგრძეები, აგრეთვე სატუმბი აგრეგატის საპასპორტო მონაცემები. ს. დ-ის მუშაობის რეჟიმი მყარდება სატუმბი აგრეგატისა და სხვა ძირითადი ელემენტების ურთიერთქმედების შედეგად. ს. დ-ის ექსპლუატაციის რეჟიმი შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ან მიზნობრივად.

სატუმბი სადგური, ნაგებობების, მანქანებისა და მოწყობილობების კომპლექსი სითხეების დაწნევითი გადაადგილებისათვის; შედგება წყალმიმღები მოწყობილობის (წყალასაღების), შემწოვი მილების, ტუმბოების, ძრავებისა და სადაწნეო მილსადენებისაგან. ს. ს-ები შედის წყალმომარაგების, კანალიზაციის, მელიორ. სისტემების, ჰიდროტექ. ნაგებობების, ნავთობსადენებისა და მისთ. შედგენილობაში. მოწყობილობის განლაგების მიხედვით განასხვავებენ მიწისზედა, ჩაღრმავებულ და ღრმა (შახტური ტიპის) ს. ს-ებს. სოფ. მეურნეობაში მოსარწყავად იყენებენ გადასაძრავებელ ს. ს-ებს (თვითმავალს, მისაბმელსა და საკიდს).

სატუნინი კონსტანტინე ალექსის ძე [20. V (1. VI). 1863, იაროსლავლი, — 10 (23). XI. 1915, მცხეთის მახლობლად], რუსი ზოოლოგი, კავკასიის ფაუნის ცნობილი მკვლევარი. 1890 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი, 1893-იდან დასახლდა თბილისში. მუშაობდა ჯერ კავკ. მეაბრეშუმეობის სადგურში, შემდეგ — კავკ. მუზეუმში. 1907—15 იყო მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოყენებითი ზოოლ. და ნადირობის უფროსი სპეციალისტი კავკასიაში. ს-ის ძირითადი შრომები ეხება რუს. და ცენტრ. აზიის ძუძუმწოვრებს (აღწერა მრავალი ახ. ფორმა), კავკ. ფაუნას (უმთავრესად ხერხემლიანებს). აქვს ნაშრომები ენტომოლოგიის, იქთიოლოგიის, ჰერპეტოლოგიის, მეაბრეშუმეობის და სხვ. საკითხებზე.

თხზ.: Млекопитающие Кавказского края, т. 1—2, Тфл., 1915 — 20; О зоогеографических округах Кавказского края, «Известия Кавказского музея», 1912, т. 7; Систематический каталог птиц Кавказского края, Тфл., 1912.

რ. ყორდანია.

სატურნი (ლათ. Saturnus), რომაულ მითოლოგიაში ნათესებისა და მოსავლის ღვთაება, *იუპიტერის* მამა, თავდაპირველად ეტრუსკული ღვთაება ყოფილა. მითოლ. ტრადიციით, ზევსის მიერ დამხობილი *კრონოსი* გაქცეულა და რომში იანუსისაგან მიუღია ძალაუფლება. მისი მეფობის ხანა დოვლათის, ბედნიერებისა და თანასწორობის ოქროს ხანა ყოფილა. მოსავლის აღების შემდეგ იმართებოდა 7-დღიანი დღესასწაულები — სატურნალიები (17 დეკ-იდან). მისი სახელის მიხედვით იტალიას სატურნია (Saturnia) ეწოდებოდა, ხოლო იტალიელებს—სატურნის მოდგმა (Saturnia gens). ს-ის ტაძარი კაპიტოლიუმის ბორცვზე იდგა (ძვ. წ. 497), იქვე იყო სახელმწ. საგანძურიც.

სატურნი, მზიდან დაშორების მიხედვით მეექვსე დიდი ცთომილი. ასტრონომიული აღნიშვნაა ♄. ძვ. ქართულში გავრცელებული იყო ბერძნულიდან შემოსული „კრონოსი“. ეკუთვნის გიგანტი პლანეტების ჯგუფს. ს. სიდიდით მეორეა მზის სისტემის ცთომილთა შორის. ცაზე ჩანს მოყვითალო ფერის მნათობად. ს-ის ბრწყინვალება მზის ირგვლივ მოქცევისას (პერიოდი 29,46 წ) იცვლება ხილულ *ვარსკვლავიერ სიდიდეთა* (—0,5-1,5) ინტერვალში. ს-ის ორბიტის დიდი ნახევარღერძი (საშ. მანძილი მზიდან) 1,43 მლრდ. *კმ*-ია, ორბიტის ექსცენტრისიტეტია 0,056. ს-ის ეკვატორი მისივე ორბიტის სიბრტყისადმი დახრილია 26°24′-ით. მისი ეკვატორული დიამეტრი 120200 *კმ*-ია, ხოლო პოლარული 11 ათ. *კმ*-ით ნაკლებია მასზე. ს-ის საშ. სიმკვრივე (0,7 $გ/სმ^3$) უმცირესია პლანეტების საშ. სიმკვრივეთა შორის, ხოლო მასა ($5{,}68 \cdot 10^{26}$ *კგ*) დედამიწის მასას 95,3-ჯერ აღემატება. ეკვატორზე სიმძიმის ძალის აჩქარება 9,5 $მ/წმ^2$-ია, პარაბოლური სიჩქარე — 37 $კმ/წმ$.

ს. ტელესკოპში მოჩანს დისკოს სახით, რ-ზედაც შეიმჩნევა ეკვატორის პარალელური ზოლები, დროდადრო კი თეთრი „ლაქებიც“. ამ ლაქებზე დაკვირვებით დადგენილია, რომ ს-ის ეკვატორული ზონის ბრუნვის პერიოდი (10 *სთ* 14 *წთ*) ნაკლებია ზომიერი განედების ზონის ბრუნვის პერიოდზე, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო სწრაფად ბრუნავს, ვიდრე მაღალი განედის ზონა (10 *სთ* 40 *წთ* ≈60°განედებზე).

ს-ს აკრავს საკმაოდ მკვრივი ატმოსფერო, შემდგარი ღრუბლოვანი და ღრუბელზედა მოლეკულური ფენისაგან. ღრუბლოვანი ფენა ძირითადად უნდა შედგებოდეს გაყინული ამიაკის ნაწილაკებისაგან, რ-თა საშ. რადიუსი 1 *მკმ*-ია, ხოლო ღრუბელზედა ატმოსფერო—მოლეკულური წყალბადისაგან, მეთანისაგან, შესაძლოა ჰელიუმისაგანაც. ს-ის ზედაპირის ეფექტური ტემპ-რა ≈ — 180°C, რაც რამდენიმე გრადუსით მეტია მზისგან მიღებული ენერგიით განპირობებულ სავარაუდო ტემპრაზე. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ს-ს საკუთარი გამოსხივების წყარო აქვს.

ს-ის ეკვატორის სიბრტყეში შეიმჩნევა კონცენტრული რგოლების სისტემა. კუთხე რგოლების სიბრტყესა და ს-იდან დედამიწისაკენ მიმართულებას შორის იცვლება 0°—28° ინტერვალში, რის გამოც რგოლები სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება დედამიწიდან. ს-ის რგოლები, რ-თა სისქე არ უნდა აღემატებოდეს 3 *კმ*-ს, შედგება ერთ სიბრტყეში მსრბოლი მცირე ზომის ნაწილაკებისაგან.

კოსმ. აპარატების მიერ გადმოცემული დაკვირვებითი მასალის ანალიზმა უჩვენა ახ. მკრთალი რგოლებისა და 6 მანამდე უცნობი თანამგზავრის არსებობა. ჯერ-ჯერობით ცნობილია ს-ის 16 თანამგზავრი და მინიშნებულია რამდენიმე. ყველაზე კაშკაშაა ტიტანი. მისი დიამეტრია 5000 *კმ*, მასა კი ს-ის მასის $2{,}4 \cdot 10^{-4}$

ნაწილი. ტიტანს აკრავს ატმოსფერო, რ-იც მარსის ატმოსფეროზე უფრო მკვრივია.

ლიტ.: ხარაძე ე., ასტრონომიის საფუძვლები, [ტ.] 2, თბ., 1974; Бобров М.С., Кольца Сатурна, М., 1970. *ლ. სიგუა.*

სატყეებუჩაევო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ზანის სოფსაბჭო), მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 170 *მ*, ცხაკაიადან 22 *კმ*. ზანის ა. ჟდანოვის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). საშ. სკოლა სოფ. ზანაში (2 *კმ*).

სატყეო კანონმდებლობა, იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რ-იც აწესრიგებს ტყით სარგებლობის პირობებსა და წესს. მთავარი საკანონმდებლო აქტებია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სატყეო კანონმდებლობის საფუძვლები (1977) და მათ ბაზაზე მიღებული რესპ. სატყეო კოდექსები, კერძოდ, საქ. სსრ სატყეო კოდექსი (1978).

სსრკ-ში ს. ა. ემყარება ტყეზე სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრების უფლებას, რაც სატყეო ურთიერთობის, ე. ი. ტყის გამოყენების, აღდგენისა და დაცვის დარგში საზ. ურთიერთობის საფუძველი და სატყეო მეურნ. რაციონალური გაძღოლის მთავარი წანამძღვარი. სსრკ-ის ყველა ტყე ქმნის ერთიან სახელმწ. ტყის ფონდს. მასში შედის: 1. სახელმწ. მნიშვნელობის ტყეები ანუ სატყეო მეურნ. სახელმწ. ორგანოების გამგებლობაში შემავალი ტყეები, საქალაქო ტყეებიც, ორგანიზაციადაწესებულებებზე მიმაგრებული ტყეები და ნაკრძალთა ტყეები; 2. საკოლმ. ტყეები ანუ კოლ-ბებისათვის უვადო სარგებლობაში მიცემულ მიწებზე არსებული ტყეები სახ.-სამ. მნიშვნელობის, ადგილმდებარეობისა და შესასრულებელი ფუნქციების შესაბამისად, ტყეები იყოფა ჯგუფებად. სახელმწ. მნიშვნელობის ტყეები იყოფა I, II და III ჯგუფებად, ხოლო საკოლმ. ტყეები — I და II ჯგუფებად. I ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება ტყეები, რ-ებიც ასრულებენ წყალდამცავ, ნიადაგდამცავ, სანიტ.-ჰიგიენურ გამაჯანსაღებელ ფუნქციებს და სხვ., II ჯგუფის ტყეებს — დამცავი და შეზღუდული საექსპლუატაციო მნიშვნელობის ტყეები, III ჯგუფის ტყეებს — მრავალტყიანი რ-ნების ტყეები, რ-ებსაც უპირატესად საექსპლუატაციო მნიშვნელობა აქვთ. ტყეების ჯგუფის მიხედვით დადგენილია ამ ტყეებში მეურნ. გაძღოლის, ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების წესი, აგრეთვე ამ მიწების სახელმწ. ან საზ. საჭიროებისათვის გადასაცემად ჩამორთმევის წესი.

დადგენილი მოთხოვნილებების დაცვით დასაშვებია ტყეებით სარგებლობა. ტყით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწ., კოოპ. და საზ. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სსრკ მოქალაქეები, ხოლო სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში — სხვა ორგანიზაციები და პირები. ტყეთსარგებლობა (მოქალაქეების მიერ ველური ხილის, თხილ-კაკლის, სოკოს და სხვ. მოკრეფის გარდა) შეიძლება მხოლოდ სპეც. ნებართვით — ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით. საკოლმ. ტყეებით სარგებლობენ, უწინარეს ყოვლისა, კოლ-ბები და კოლმეურნეები, ამასთანავე, კოლ-ბებისათვის ტყეთსარგებლობა ამ ტყეებში უფასოა, ხოლო კოლ-ბების წევრებისათვის დაწესებულია შეღავათები.

იმ პირებს, რ-ებსაც ბრალი მიუძღვით ისეთი გარიგების დადებაში, რ-იც პირდაპირი თუ ფარული ფორმით არღვევს ტყეზე სახელმწიფოს საკუთრების უფლებას ან სხვა გზით არღვევს ტყის კანონმდებლობას, ეკისრებათ სისხლის სამართ., ადმ., მატერ. ან დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში ტყეები ნაციონალიზებულია ან მთლიანად (მონღოლეთი, ბულგარეთი), ან თითქმის მთლიანად. კაპიტალ. ქვეყნებში ტყესთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს კერძო საკუთრება. *რ. ცინცაძე.*

სატყეო მეურნეობა, სახალხო მეურნეობის დარგი, რ-იც შეისწავლის ტყეს — მის აღრიცხვას, გაშენებას, ხანძრისა და მავნებლებ-დაავადებებისაგან დაცვას, მერქნისა და ტყის სხვა პროდუქტების გამოყენების რეგულირებას სახ. მეურნ. მოთხოვნილებების შესაბამისად. სოციალ. ს. მ-ის ძირითადი ამოცანაა ტყის რაციონალური გამოყენება და დაცვა, უწყვეტი სარგებლობა ტყით, დროული განახლება, პროდუქტიულობისა და ხარისხის გაზრდა. საქ. სსრ-ში ს. მ-ის ხელმძღვ. სახელმწ. ორგანოა საქ. სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილ. ორგანოები. 1979-იდან საქართველოში მოქმედებს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ტყის კოდექსი. სსრკ ს. მ-ში სამეცნ.-კვლ. სამუშაოები ტარდება 14 სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 2 სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიასა და 58 სატყეო საცდელ სადგურში. აგრეთვე სატყეო ტექ., ტექნოლ. და სას.-სამ. ინ-ტების 14 კათედრაზე. ს. მ-ის ინჟინერთა კადრებს ამზადებს 20-მდე უმაღლესი სასწ. დაწესებულება, ხოლო საშ. კვალიფიკაციის სპეციალისტებს — ტექნიკუმები. *დ. სარაჯიშვილი.*

სატყეო-სამეურნეო და სატყეო-ტექნიკური განათლება, სატყეო მეურნეობისათვის, ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების, მერქნის მექან. და ქიმ. დამუშავებისა და გადამუშავებისათვის, მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობათა კონსტრუირებისა და ექსპლუატაციისათვის, ხე-ტყის დასამზადებელ და ხის დასამუშავებელ საწარმოთა ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციისათვის, აგრეთვე ხის ნედლ მასალაზე მომუშავე ქიმ.-ტექნოლ. საწარმოთათვის ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მაღალკვალიფიციური მუშების მომზადების სისტემა.

სისტემ. სატყეო განათლება რუსეთში XVIII ს. დასაწყისში ჩაისახა. იგი ძირეულად შეიცვალა ოქტ. რევ. შემდეგ. უმაღლეს ს.-ს. და ს.-ტ. გ-ს ღებულობენ სასწ. გეგმების მიხედვით შემდეგი სპეციალობებით: სატყეო მეურნეობა, სატყეო-საინჟინრო საქმე, ხის დამუშავების ტექნოლოგია, პლასტმასის გადამუშავების ტექნოლოგია, ხე-ტყისა და ხის დასამუშ. მრეწვ. მანქანები და მექანიზმები, ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების მანქანები და აპარატები, ტექ. პროცესების ავტომატიზაცია და კომპლ. მექანიზაცია, ხე-ტყის მრეწვ. და სატყეო მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 1984 სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობისათვის ინჟინრებს ამზადებდა 30 უმაღლესი სასწავლებელი; ამჟამად საქართველოში ს.-ს და ს.-ტ. გ-ს ილებენ სატყეო-სამეურნეო ფაკ-ტზე საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში; სსრკ-ში საშ. ს.-ს. და ს.-ტ. გ-ს ილებენ 80-მდე სპეციალიზებულ და 100-მდე სხვა ტექნიკუმში 24 სპეციალობით (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი სახალხო განათლება); კვალიფიციურ მუშებს ამზადებდა 300-მდე პროფტექ. სასწავლებელი 70-მდე სპეციალობით. სამეცნ.-პედ. კადრებს ამზადებს ასპირანტურა, დაცვისათვის სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების მიღების უფლება აქვს ლენინგრ. სატყეო-ტექნ. აკადემიას, მოსკ. და ვორონეჟის სატყეო-ტექ. ინ-ტებს; საკანდიდატო დისერტაციებისა — ურალის სატყეო-ტექ. ინ-ტს; სოციალ. ქვეყნებში ს.-ს. და ს.-ტ. გ-ის ცენტრებია ებერსვალდესა და დრეზდენში (გდრ), პრაღასა და ბრნოში (ჩეხოსლოვაკია), ვარშავასა და პოზნანში (პოლონეთი), სოფიაში (ბულგარეთი).

კაპიტალ. ქვეყნებში სპეციალისტებს ამზადებენ უნ-ტების სათანადო ფაკ-ტები და სატყეო-სამეურნეო სკოლები (აშშ, შვეცია, გფრ, საფრანგეთი და სხვ.).

სატყეო სანერგე, 1) მეურნეობა, სადაც გამოჰყავთ ტყის მერქნიანი და ბუჩქოვანი



სატურნი.

ჯიშების სარგავი მასალა (ნათესარი, ნერგი); 2. ტერიტორია ან ნაკვეთი, სადაც გამოჰყავთ ტყის ჯიშების სარგავი მასალა. არსებობს ტყის, სატყეო-მელიორაციული და ეამწვანების ს. ს.; ფართობის მიხედვით — მცირე (3 ჰა-მდე), საშ. (5—20 ჰა-მდე) და დიდი (20 ჰა-ზე მეტი); მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით განასხვაებენ დროებითსა და მუდმივს. დ რ ო ე ბ ი თ ი ს. ს. (5 წლამდე) შედის სატყეო მეურნ. შემადგენლობაში, უკავია პატარა ნაკვეთი; მ უ დ მ ი ვ ი ს. ს. (ე. წ. ბაზისური) გათვალისწინებულია ხანგრძლივი გამოყენებისათვის და მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი საწარმო.

ს. ს-ის ნაკვეთი უნდა იყოს სწორი ან 3°-მდე დაქანებული: ტყისა და ტყე-ველის ზონაში — სამხრ. და სამხრ.-დას., ველის ზონაში — დას., ჩრდ.-დას. და ჩრდ.-აღმ. ექსპოზიციით; გვალვიან რ-ნებში — წყალსატევთან ახლოს. სანერგისათვის ნიადაგი მსუბუქი მექან. შედგენილობის და საკმაოდ ნოყიერი უნდა იყოს. მუდმივი ს. ს. მოიცავს რამდენიმე განყ-ბას: ს ა დ ე დ ე განყ-ბაში გამოჰყავთ ძვირფასი დეკორ., მერქნიანი და ბუჩქოვანი ჯიშები, იქვე გაშენებულია ხეხილის ბაღი, კენკროვნები, პლანტაცია (ვერხვის, ტირიფის და სხვ.) და სათესლე ნაკვეთი. აქ ამზადებენ სანამყენე მასალას, გადანაწვენს, თესლს. დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი ურ განყ-ბაში შექმნილია ხეებისა და ბუჩქების ახ., ძვირფასი სახეობებისა და ფორმების კოლექცია. *შ. ხიდაშელი.*



სატურნი (კრონოსი). ძვ. წ. III ს. მარმარილო. ვატიკანი.

სატყორცნი მანქანები (სამხ.), საბრძოლო მანქანები, რ-ებსაც ძვ. დროსა და შუა საუკუნეებში იყენებდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად და თავდაცვითი ნაგებობების დასანგრევად. ს. მ-ის მოწყობილობა დაფუძნებული იყო სხვადასხვა დაგრეხილი ან გაჭიმული ბოჭკოს ენერგიის გამოყენებაზე. ს. მ. გავრცელებული იყო ძვ. აღმოსავლეთში (ასურეთი, ინდოეთი და სხვ.), ძვ. საბერძნეთში, ძვ. რომში. იყოფოდა კატაპულტებად და ბალისტებად. ძვ. რუსეთში ს. მ-ს X ს-იდან იყენებდნენ.



სატურნი (კრონოსი) და რეა.

საუდიდები, საუდის არაბეთის მმართველი დინასტია. დამაარსებელია საუდ იბნ მუჰამად იბნ მიკრინი (1719/20—1725). 1927-მდე ს. ნაჯდის ამირები იყვნენ, 1927—32 — ჰიჯაზის, ნაჯდის და შემოერთებული ოლქების მეფეები. 1932-იდან საუდის არაბეთის მეფეები არიან.

საუდის არაბეთი, საუდის არაბეთის სამეფო (ალ-მამლაქა ალ-არაბია ალ-საუდია), სახელმწიფო სამხრ.-დას. აზიაში. უჭირავს არაბეთის ნ.-კ-ის დაახლ. 2/3 და სანაპირო კ-ები წითელ ზღვასა და სპარს. ყურეში. ფართ. დაახლ. 2,15 მლნ. *კმ*². მოსახლ. დაახლ. 9 მლნ. კაცი (1982). დედაქალაქი — ელ-რიადი. ოფიც. ენა — არაბული. ეროვნ. დღესასწაულია 23 სექტ. — სამეფოს გამოცხადების დღე (1932). ოფიც. *კალენდარი* — მთვარის ჰიჯრა, იყენებენ აგრეთვე გრიგორიანულს. ფულის ერთეულია საუდის რიალი. 3,45 რიალი=1 აშშ-ის დოლარს (1983). ადმინისტრაციულად ს. ა. იყოფა 4 პროვინციად.

ს. ა. აბსოლ. თეოკრ. მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე, რ-საც ეკუთვნის სახელმწ. ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრ., სას.). იგი ამავე დროს



საუდის არაბეთის სამეფოს სახელმწიფო გერბი.

პრემიერ-მინისტრიც არის. მთავრობას ძირითადად ადგენენ სამეფო ოჯახიდან. მთავრობასთან ერთად არსებობს საკონსულტაციო საბჭო, რ-ის წევრებსაც მეფე ნიშნავს.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს პლატოსებრ ვაკეებს, რ-ებიც დანაწევრებულია *უადებით.* მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს ლავურ მინდვრებსა და ქვიან უდაბნოებს (ჰამადა). ყველაზე დიდი ქვიშიანი უდაბნოებია *ნეფუდი,* დაჰნა, *რუბ-ელ-ხალი* (ჩრდ. ნაწილი). დას-ით, წითელი ზღვის სანაპიროს პარალელურად, მიემართება ჰიჯაზისა და ასირის მთები, რ-ებიც საფეხურებად ეშვება თიჰამის დაბლობისაკენ. სპარს. ყურის გაყოლებით ბრტყელი, ზოგან დაჭაობებული ან მლაშობებიანი ელ-ჰასის დაბლობია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ნავთობი, რკინის, ქრომის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ოქროს მადანი.

ჰავა ჩრდ-ით სუბტროპიკულია, სამხრ-ით — ტროპ., მკვეთრად კონტინენტური, მშრალი. ელ-რიადში იელ. საშ. ტემპ-რაა 33°C, იანვ. — დაახლ. 14 C, აბსოლ. მაქს. 48°C, ქვეყნის სამხრ. ნაწილში 54°C-მდე. ნალექები უმეტეს ნაწილში 100 *მმ*-ზე ნაკლებია წელიწადში, მთაში — 400 *მმ*-მდე. თითქმის მთელი ს. ა. გაუდინარი არეა, მუდმივი მდ-ები არ არის. წყალმომარაგებაში მთავარ როლს თამაშობს გრუნტის წყლები.

ჭარბობს უდაბნოს პრიმიტ. ნიადაგები, ჩრდ-ით სუბტროპ. რუხი ნიადაგია, დადაბლებებში — მლაშობი. მცენარეულობა უმთავრესად უდაბნოსია, ჩრდ-ით — ნახევარუდაბნოსი. ქვიშებზე ადგილ-ადგილ იზრდება თეთრი საქსაული, ცერცვეკალა, ჰამადაში — მღიერი, ლავურ მინდვრებზე — აბზინდა, გლერძი, უადების კალაპოტებში — ალვის ხე, აკაცია, უფრო დამლაშებულ ადგილებში — იალღუნი. სანაპიროზე და მლაშობებში ჰალოფიტური ბუჩქნარებია. ცხოველთა სამყაროდან გვხვდება მგელი, ტურა, მელა, აფთარი, კარაკალი, ონაგრი, ანტილოპა, ქურციკი, დამანი, კურდღელი. ბევრია მღრღნელი და ქვეწარმავალი, აგრეთვე ფრინველი.

მოსახლეობა. ს. ა-ში ძირითადად არაბები ცხოვრობენ, მ. შ. იემენელები (0,9 მლნ.), ეგვიპტელები (0,3 მლნ.), აგრეთვე პაკისტანიდან (0,2 მლნ.), ინდოეთიდან (0,15 მლნ.) და სხვ. ქვეყნებიდან გადმოსახლებულები. ოფიც. რელიგია — ისლამი.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 30% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1982). სოფლის მცხოვრებთა დაახლ. 50% მომთაბარე და ნახევრად მომთაბარეა. ბინადარი მოსახლ. თავმოყრილია ოაზისებსა და ქ-ებში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 4,2 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე (1982). მოსახლ. დაახლ. 25% ქალაქში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია: ელ-რიადი (დაახლ. 920 ათ. მცხ., 1982), ჯიდა, მექა, მედინა.

ისტორიული ნარკვევი. ს. ა. ძვ. წ. II ათასწლეულიდან მომთაბარე არაბებით იყო დასახლებული. ახ. წ. VII ს-ში არაბ. ნ.-კ-ის დას. ნაწილში (ჰიჯაზი) ახ. რელიგია — *ისლამი* აღმოცენდა და პირველი მუსლ. თეოკრ. სახელმწიფო — არაბთა სახალიფო (დედაქალაქი მედინა) შეიქმნა. VII—VIII სს-ში ს. ა-ის ტერიტ. დიდი ნაწილი შედიოდა *ომაიანთა,* ხოლო VIII—IX სს-ში — *აბასიანთა სახალიფოში.* X—XII სს-ში არაბ. ნ.-კ-ის ტერიტ. ნაწილზე შეიქმნა დამოუკიდებელი სამთავროები (საამიროები, სასულთნოები); ჰიჯაზი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო *ფატიმიდებთან,* შემდეგ — *აიუბიდებთან,* ხოლო XIII ს. შუა წლებიდან — XVI ს. დასაწყისამდე — *მამლუქებთან.* გაცილებით დამოუკიდებელი იყო ნაჯდი. XVI ს. დასაწყისში ოსმ. იმპერიამ თავისი ძალაუფლება განავრცო ჰიჯაზზე. 1745 ნაჯდის ერთ-ერთი საამიროს გამგებელმა მუჰამად იბნ საუდმა (1726/27—65) დაიწყო ბრძოლა არაბეთის გაერთიანებისათვის ვაჰაბიზმის (იხ. *ვაჰაბიტები*) დროშით. XIX ს. დასაწყისში არაბეთი გაერთიანდა საუდიდების ფეოდ. სახელმწიფოში. XIX ს. II ნახევარში ვაჰაბიტების სახელმწიფო დაიპყრეს შამარის (ჩრდ. არაბეთი) მმართველებმა — რაშიდიდებმა. 1902 *იბნ საუდმა* რაშიდიდები დაამარცხა და ნაჯდში საუდიდების ხელისუფლება აღადგინა. 1915 ინგლისმა ცნო ნაჯდის დამოუკიდებლობა.


I მსოფლიო ომის (1914—18) დამთავრების შემდეგ იბნ საუდი განაგრძობდა ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისათვის. 1920 მან დაამყარა პროტექტორატი ასირის ნაწილზე (1930 მთელი ასირი დაიმორჩილა). 1921 დაიპყრო შამარი, 1925—ჰიჯაზი, ხოლო 1926 იანვ. თავი ჰიჯაზის მეფედ და ნაჯდისა და შემოერთებული ოლქების სულთნად (1927 მეფედ) გამოაცხადა. 1926 წ. 16 თებ. სსრკ-მა პირველმა ცნო ახ. სახელმწიფო და მასთან დიპლ. და სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა. 1927 დიდმა ბრიტანეთმა ცნო საუდიდთა დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1932-იდან მას ოფიციალურად ეწოდება ს. ა-ის სამეფო. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ს. ა-მა გაწყვიტა დიპლ. ურთიერთობა ფაშისტურ გერმანიასა (1941) და იტალიასთან (1942), მაგრამ ომში არ მონაწილეობდა. 1943 აშშ-მა დაამყარა დიპლ. ურთიერთობა ს. ა-თან და გაავრცელა მასზე კანონი ლენდ-ლიზის შესახებ. დაპრანში შეიქმნა აშშ-ის სამხ.-საჰაერო ბაზა.

ს. ა-ში არსებული ფეოდ.-თეოკრ. რეჟიმი, გამგებლობის აბსოლუტისტური მეთოდები მოსახლ., უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის უკმაყოფილებას იწვევდა. 1953 (იბნ საუდის გარდაცვალების შემდეგ) ტახტზე ავიდა მეფე საუდი; მან გამოსცა კანონები, რ-ებიც კრძალავდა გაფიცვებისა და დემონსტრაციების ჩატარებას, ითვალისწინებდა ყველაზე მკაცრ სასჯელს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისათვის. შიდაპოლიტ. წინააღმდეგო ბათა გამწვავების გამო საუდი იძულებულ გახდა უარი ეთქვა ტახტზე ამირა ფაისა ლის სასარგებლოდ (1964). ახ. მეფე ეყრ დნობოდა ფეოდალთა ზედა ფენას და ჩამო ყალიბების პროცესში მყოფ ეროვნ. ბურ ჟუაზიას. მისმა მთავრობამ გაატარა მთე ლი რიგი რეფორმები ეკონ. დარგში. ს. ა ის საგარეო პოლიტიკა 60-იანი წწ. II მს ხელიდან ორჭოფულ ხასიათს ატარებდ ერთი მხრივ, ს. ა. გამოდიოდა (1966 მუსლ. სახელმწიფოების ორგანიზაციის, წ. ისლამური პაქტის შექმნის მომხრედ, ცდ ლობდა დაემყარებინა თავისი კონტროლ სპარს. ყურის დიდ ნაწილზე და აქტიურა მხარს უჭერდა ანტიკომუნიზმს, მეორ მხრივ, ემხრობოდა არაბ. ქვეყნების ბრძ ლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ მან მხარი დაუჭირა 1974 რაბატის კონფ რენციის გადაწყვეტილებას — ეცნოთ პ ლესტინის განთავისუფლების ორგანიზაც პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთ წა მომადგენლად.

1975 წ. 25 მარტს მოკლეს მეფე ფაის ლი. 1976-იდან—1982 წ. 12 ივნ-მდე მეფობ ხალედ იბნ ალ-აზიზ ალ-საუდი. 13 ივ მეფედ გამოაცხადეს ფაჰდ იბნ აბდუ აზიზ ალ-საუდი. მთელ რიგ საერთა საკითხებში ს. ა-ის მთავრობა მხარს უჭე კონსერვატიულ ელემენტებს არა მარ არაბულ ქვეყნებში, არამედ აზიისა და ა რიკის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში. ა კვლავინდებურად ცდილობს შეაცვლევ ნოს ს. ა-ს დამოკიდებულება სეპარატი ლი კემპ-დეივიდის მორიგებისადმი, რ-ს ს. ა არ ცნობს.

ეკონომიკა. II მსოფლიო ომამდე ს. ა-ეკონომიკაში წამყვან როლს თამაშობ მესაქონლეობა. ომის შემდგომ პერიოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა ნ თობის მოპოვებამ და ექსპორტმა.

ს. ა. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდ ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა. მის წია შია კაპიტალ. და განვითარებადი ქვეყ ბის ნავთობის გამოკვლეული მარაგის ხ ახლ. 1/4. ნავთობის (289,8 მლნ. ტ, 19


საუდის არაბეთი
ელ-ჰოფუფი
ელ-ჯუბაილი
ელ-ჰასა
ელ-ჰოფუფი
ელ-ქატიფი
ელ-ჯუბაილი
ელ-ლისი
ელ-ლიდამი
ელ-ხუნფუდა
აბა-საედი
ხამისი
მუშაიტი
ნაჯრანი
ბიშა
ელ-ქაისუმა
ელ-ულა
ბურაიდა
უნაიზა
ელ-მაჯმაა
ელ-ზულფი
ელ-რიადი
დირაბი
ელ-ხარჯი
ელ-ქუვაიი
ელ-ჰასა
ელ-ჰოფუ

დიდესი საბადოებია აღმ. რ-ნებში და არს. ყურის შელფზე. ნავთობის დიდი წილი გააქვთ ნედლი სახით, ნაწილი მუ-ვდება (58,9 მლნ. ტ, 1983) რას-ტანურის, ადისა და ელ-რიადის ნავთობგადასამუშ. ნებში. 1960-იანი წწ. ბოლოდან განვი-არდა ნავთობქიმ. მრეწვ., აწარმოებენ ნგირდს, ქიმ. სასუქებს, საზეთ ზეთებს. თარდება მეტალ., ქაღალდის, კვების ეწვ., საშენ მასალათა, უმთავრესად ცე-ნტის (88 მლნ. ტ, 1983), მინის, აგურის რმოება. 1983 ელექტროენერგიის წარ-ებამ შეადგინა 17,6 მლრდ. *კვტ·სთ*.

ბევრია სახელოსნო და შინამრეწველური წარმო. ამზადებენ ოქროს, ვერცხლის, ნის ნაკეთობებს, ტყავს, ქსოვილებს.

სოფლის მეურნეობა ეკონ. ყველაზე ჯრო ჩამორჩენილი დარგია. დამუშავე-ლი მიწის დაახლ. 60% ეკუთვნის დიდ საშ. მიწათმფლობელებს. სურსათის ახლ. 75% შეაქვთ. მთავარი სას.-სამ. ნია ასირი. მნიშვნელოვანი სას.-სამ. ლტურაა ფინიკის პალმა (77 ათ. ტ ნიკი, 1983). მოჰყავთ (ათ. ტ, 1983): რბალი — 600, სორგო — 190, ქვ-— 16,2, ბრინჯი — 9, პამიდორი — 1,7, ციტრუსები — 24,5, ყურძენი — 47. ხოველეობა ექსტენსიური ხასიათისაა. 83 ს. ა-ში იყო (ათ. სული): მსხვ. საქონელი — 200, ცხვარი — 3500, ა — 2000, აქლემი — 586, შინაური ფრინ-ლი — 80 მლნ. ფრთა.

განვითარებულია თევზჭერა (3 ათ. 1983). იჭერენ თინუსს, სკუმბრიას, რდინს, ზვიგენს, ასთაკვს, კიბორჩხალს, რნელს. მოიპოვებენ მარგალიტს, შავ რჯვანს, ქარვას.

რკინიგზის სიგრძეა 719 *კმ* (1982), ეტ. გზებისა — 46 ათ. *კმ* (აქედან 23 ათ. მოასფალტებულია), ნავთობსადენები-— 3,3 ათ. *კმ*. 1983 ავტომპარკში იყო 0 ათ-ზე მეტი ავტომობილი, მ. შ. 1208 — მსუბუქი. ნავსადგურების ტვირთ-ნუვაა 48,2 მლნ. ტ (1983), მ. შ. ჯიდი-— 23,1, დამამისა — 16,1 მლნ. ტ. საერ-შ. მნიშვნელობის აეროპორტებია დაჰრა-ნ, ჯიდასა და ელ-რიადში.

1982/83 ექსპორტმა შეადგინა 70000 ნ. დოლ., იმპორტმა—40268 მლნ. მლრდ.; პორტის ღირებულების 99,4%-ს შეადგენს თობი, ნავთობპროდუქტები და თხევადი ბი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, ბრანსპ. საშუალებანი, საშენი მასალა, ჯახო ნივთები, სურსათი და სხვ. მთავა-სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, ია-ია, გფრ., იტალია, ნიდერლანდი.

1983 უცხოეთის ქვეყნებიდან ჩავიდა ახლ. 2 მლნ. მლოცველი.

განათლება. 1926 მიღებულია კანონი ალდებულო დაწყ. სწავლებისა და სახე-წ. საერო სკოლების, 1960—ქალთა განა-ების და ქალთა სკოლების, 1964 — თა უმაღლესი სასწავლებლების შექმ-შესახებ. დაწყ. განათლება უფასოა, რამ 1972-თვის მოსახლ. 80% წერა-ხვის უცოდინარი იყო. დაწყ. სკოლა 6-იანია, სა. სკოლა შედგება 3-წლიანი სრული და 3-წლიანი სრული სამ. სკო-ბისაგან. 1984 დაწყ. სკოლაში სწავ-ებდა 500 ათ-მდე, სამ. სკოლაში — 120 მდე მოსწავლე. 4-წლიანი პროფტექ. ლები მუშაობს დაწყ. სკოლის ბაზაზე, ლიანი პროფტექ. სასწავლებლები — სრული სამ. სკოლის ბაზაზე, 2-წლია-ი — პროფტექ. სკოლის ბაზაზე. 1984 ფტექ. სკოლებში სწავლობდა 15 ათ-, პროფტექ. სასწავლებლებში — 3 ათ-ზეტი მოსწავლე. არის რამდენიმე სპეც. ვალებელი, აგრეთვე ელ-რიადის უნ-(დაარსდა 1957), აბდ ალ-აზიზის უნ-ჯიდაში (1967), ისლამის გამოკვლე-ა უნ-ტი მედინაში (1961), უმაღლესი ნოლ. ინ-ტი და ტექ. ინ-ტი ელ-რიადში სხვ.

დიდი ბ-კებია: ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 8; 16 ათ. ტ.), საუდის ბ-კა (15 ათ. ტ. და 200 ხელნაწერი), არიფ პიქმათის ბ-კა (1,5 ათ. ტ. და 4,5 ათ. ხელნაწერი) და სხვ.

ს. ა-ში გამოდის რამდენიმე დასახელე-ბის ჟურნალ-გაზეთი. საინფორმაციო სა-გენტო დაარსდა 1970 ელ-რიადში. რადიო-მაუწყებლობა მუშაობს 1948-იდან (გადაცე-მები მიმდინარეობს არაბ. და ინგლ. ენებ-ზე), ტელევიზია — 1965-იდან.

ლიტერატურა. ძვ. და შუა საუკ. ლიტ-რა საერთო არაბ. ლიტ-რის ორგ. ნაწილია (იხ. *არაბული კულტურა, ლიტერატურა*). XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ს. ა-ის ლიტ-რის წამყვანი ჟანრი პოეზია იყო. არაბ. ნ.-კ-ის დას. და სამხრ. ნაწი-ლებზე ოსმ. იმპერიის გაბატონებამ (XVI ს. შუა წლებიდან) ხანგრძლივად შეაფერ-ხა არაბ. კულტ.-და ლიტ-რის განვითარება. ძირითადად იწერებოდა თურქ. სულთნების სახოტბო *კასიდებ.*. ლიტ-რა გამსჭვალუ-ლი იყო რელიგ.-მისტ. იდეებით, კლერ. დოგმატიზმით. გამონაკლისია იბრაჰიმ ალ-ისკუბის (გ. 1913) შემოქმედება, რ-მაც პოეზიაში შემოიტანა სოც. და პოლიტ. პრობლემები, გააკრიტიკა სულთნის ხელი-სუფლება. XX ს. I ნახევარში. ს. ა-ის ლიტ-რა კონსერვატული ხასიათისა იყო. 20-იანი წლებიდან მეზობელი არაბი ქვეყ-ნების გავლენით გაჩნდა საგანმან., რომანტ. და რეალისტური მიმდინარეობები. რო-მანტ. მიმდინარეობის ფუძემდებლები არი-ან პოეზიის ფსიქოლ. სკოლის წარმომად-გენლები მუჰამად სურურ ალ-საბანი (დ. 1898) და მუჰამად ჰასან ავადი (დ. 1906).

II მსოფლიო ომის შემდგომ პროზაში რეალისტური მიმდინარეობის მიმდევრები არიან ამინ სალემ რუმაიჰი (დ. 1929), იუ-სუფ იბნ ალ-შეიხ იაკუბი, აბდ ალ-სალამ ჰაშიმ ჰაფიზი, აბდ ალ-ღაფურ ათარი (დ. 1918). ვითარდება პუბლიცისტიკა და ლიტ. კრიტიკა.


ხელოვნება. ს. ა-ის ტერიტორიაზე უძ-ველეს ძეგლებს მიეკუთვნება ადამიანთა ქვის ქანდაკებები და ქვის რელიეფები ცხო-ველების გამოსახულებებით (ძვ. წ. VII—II სს.; ელ-ულა, მადაინ-სალიჰ.). ძვ. წ. II ს. — ახ. წ. I ს. მიეკუთვნება ჰიჯაზის ჩრდ-ით მდებარე ნაბატეველთა ქ-ების ნაშ-თები (გეგმით მართკუთხა სამლოცველოე-ბი და კლდეში ნაკვეთი აკლდამები). შუა საუკ. არაბ. არქიტ. ძეგლები შემონახულია მექასა და მედინაში. ახალი საცხოვრებლე-ბი ნაგებია თიხითა და ალიზით. მომთა-ბარეთა საცხოვრებელია თხის ბეწვის ქსო-ვილით გადახურული კარვები. 1950-იანი წლებიდან ქ-ებში (ჯიდა, ელ-რიადი) აშე-ნებენ მრავალსართულიან სახლებს, სას-ტუმროებს და სხვ. განვითარებულია ოქ-რომკედით ქარგვა, ოქროსა და ვერცხლის სამკაულების, ავგაროზების, სუვენირების დამზადება, მატყლისა და ტყავისაგან აკე-თებენ მზატვრულ ნაწარმს.

ლიტ.: Воронина В. Л., Народное жилище арабских стран, М., 1972; Зарубежная Азия. Физическая география, М., 1956; Пиренн Ж., Открытие Аравии, [пер. с франц., М., 1970]; Саудовская Аравия. Справочник М., 1980.

საუთ-ბენდი (South Bend), ქალაქი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში, ინდიანის შტატში, მდ. სენტ-ჯოზეფის ნაპირზე. 110 ათ. მკხ., გარეუბნებიანად 280 ათ. (1980). მანქანათ-სამ., ლითონდასამუშ., რეზინის, ქიმ., კვების მრეწველობა. უნ-ტი.

საუთენდ-ონ-სი (Southend-on-Sea), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ესექსის საგრა-ფოში, ტემზის ესტუარის ჩრდ. ნაპირზე. 157 ათ. მკხ. (1981). ელექტროტექ. მრეწვ., სამეცნ. ხელსაწყოების წარმოება, სას.-სამ. მანქანათმშ., ნავთობგადამუშავება და სხვ. ლონდონელთა დასასვენებელი ადგი-ლი.

საუთი (Southey) რობერტ (12. VIII. 1774, ბრისტოლი, — 21. III. 1843, გრეტა-ჰოლი), ინგლისელი პოეტი. „ტბის სკო-ლის" წარმომადგენელი. პირველი კრებ. „ლექსები" 1795 გამოაქვეყნა. მას ეკუთვ-ნის პოემა „ჟანა დ'არკი" (1796), დრამა



საუდის არაბეთი. წყლის ამოღება.

„უოტ ტაილერი" (1794, გამოქვეყნდა 1817), ს. ტ. *კოლრიჯთან* ერთად დაწერილი დრამა „რობესპიერის დაცემა" (1794). ს-ს სახელი დაკავშირებულია უპირატესად რომანტ. ბალადებთან „ღმერთის მსჯავრი ეპისკოპოსისადმი", „ბლენჰეიმის ბრძოლა" და სხვ., აგრეთვე პოემებთან „თალაბა დამანგრეველი" (1801), „კეჰამას წყევ-ლა" (1810) და სხვ., რ-ებშიც გამოვლინდა ს-ს ეეოლუცია მეამბოხური დემოკრ. გან-წყობილებიდან მისტიკისა და რელიგ. მორჩილებისკენ. ეს იდეები აირეკლა პიე-საში „სამსჯავროს ხილვა" (1821).

საუთოებელ-საწნეხი მოწყობილობა, მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა ქსო-ვილის ზედაპირის გაუთოება, ნაოჭებურ-ების გადაკეცვა, ბრტყელი დეტალებისათვის მოცულობითი მოყვანილობის მინიჭება, ხაოს წამოწევა და სხვ. ს.-ს. მ-ის მეშვე-ობით ქსოვილს ერთდროულად ამუშავებენ ტენით, სითბოთი და წნევით, რის შედეგად მისი ბოჭკოები ხდება მაღალელასტიკური და მიმდინარეობს მათი დეფორმაცია და ფიქსაცია და ქსოვილისაგან ღებულობენ ტანსაცმლის ნახევარფაბრიკატს. ს.-ს. მ-ს განეკუთვნება უთოები, წნეხები, საორთქ-ლებლები, ორთქლჰაერის მანეკენები და დამხმარე მოწყობილობა. განასხვავებენ თანმიმდევრული (უთოები, საორთქლებ-ლები), თანამიმდევრულ-პარალელური (წნეხები, საამწყობო-საფალიბებელი აპა-რატები) და პარალელური (ორთქლჰაერის მანეკენები) მოქმედების მოწყობილობებს. ყველაზე უნივერსალურია უთო, მაგრამ ყვე-ლაზე ნაკლებმწარმოებლური. უფრო სრულყოფილი და მეტად მწარმოებლური, მაგრამ ნაკლებად უნივერსალურია საუთო-ებელი წნეხი. პრიალის თავიდან ასაცილებ-ლად ქსოვილს შეორთქლავენ საუთოებელ წნეხებზე ან საორთქლებელ აპარატებში, ორთქლჰაერის მანეკენებს აქვს მზა ნაკეთის ფორმა. მანეკენზე ჩამოცმულ ნაკეთობას ამუშავებენ წნევის ქვეშ ორთქლითა და ცხელი ჰაერით. მათ იყენებენ კაბების, კოსტიუმების, პალტოების და სხვ. დასა-ხუმავებლად. თანამიმდევრულ-პარალელუ-რი მოქმედების ს.-ს. მ-ს განეკუთვნება მაღალმწარმოებლური მანქანები და აპა-რატები, რ-ითაც ჯერ დაამუშავებენ ტან-საცმლის დეტალებს, შემდეგ კი ააწყობენ და თერმოპლასტ. წებოთი შეაერთებენ. ფართოდაა გავრცელებული წნეხები, რ-თა საუთოებელი ზედაპირი ელექტროდენით ხურდება. უფრო პერსპექტიულია თბოგა-დამტანად ორთქლის ან სითხეების გამო-ყენება.

საუთპორტი (Southport), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ლანკაშირის საგრაფოში, ირლანდიის ზღვის ნაპირზე. 90 ათ. მკხ. (1981). მანქანათსაშ., პოლიგრ., კვების, ტრიკოტაჟისა და სამკერვალო მრეწველო-ბა. ზღვისპირა კურორტი.

საუთ-შილდზი (South Shields), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ნავსადგური მდ. ტაინის ესტუართან, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე, ტაინ-ენდ-უირის საგრაფოში. 87 ათ. მკხ. (1981). გემების მშენებლობა და რემონტი, გემის ნაწილების წარმოება, სამსხმელო ქ-ნები. გააქვთ ქვანახშირი.

საუთჰემპტონი (Southampton), კუნ-ძული ჩრდ. ამერიკის ნაპირებთან, ჰუდსო-ნის ყურის ჩრდ. ნაწილში. ეკუთვნის კანა-დას. ფართ. 44 ათ. *კმ*². ზედაპირი ვაკეა 533 *მ*-მდე გავრცელებულია ტუნდრის მცენარეულობა. ცხოვრობენ ესკიმოსები.

საუთჰემპტონი (Southampton). ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ჰემფშირის საგრაფოში, დიდი ნავსადგური ლა-მანშის სანაპიროზე. 204 ათ. მცხ. (1981). შეაქვთ მალფუჭებადი პროდუქტები (უმთავრესად ლონდონისათვის). ავანპორტი კანშოტ-კასლი იღებს ნავთობს (ფოლის ნავთობგადასამუშ. ქ-ნებისათვის). ნავთობქიმია. გემების რემონტი, გემის მოწყობილობის წარმოება, ელექტროტექ., საავიაციო, საავტ., კვების მრეწველობა.

საუკუნე, დროის საზომი ერთეული, რ-საც იყენებენ დროის დიდ შუალედთა აღრიცხვისათვის. შეიცავს 100 წ; *კალენდრის* ერთეული, მაგ., XX ს — დროის ინტერვალი 1901 წ. 1 იანვ. 0 სთ-იდან 2000 წ. 31 დეკ. 24 სთ-მდე.

საუკუნო გეოლოგიური, დროის მონაკვეთი, რ-ის განმავლობაში ჩამოყალიბდა გეოლ. სართულის შესაბამისი ქანების ერთობლიობა. იგი გეოლ. *ეპოქის* ნაწილია. ს-ის ქვეგანყოფს ქრონს (დროს) ან ზოგჯერ ფაზისსაც უწოდებენ.

„საუკუნო ზავი", 1. „ს. ზ." 1686, რუსეთის ხელშეკრულება პოლონეთთან დაამტკიცა *ანდრუსოვოს დაზავების* (1667) პირობები, სამუდამოდ დაუმკვიდრდა რუსეთს *მარცხენა ნაპირის უკრაინა*. „ს ზ-ით" რუსეთი მონაწილე გახდა ანტიოსმალური კოალიციისა, რ-შიც შედიოდნენ პოლონეთი, სალეთო რომის იმპერია და ვენეცია, ვალდებულება იკისრა დაეწყო ლაშქრობა *ყირიმის სახანოს* წინააღმდეგ. „ს. ზ-ის" დადება იყო რუს. დიპლომატიის დიდი გამარჯვება, რ-ითაც დაიწყო გარდატეხა რუს.-პოლ. ურთიერთობაში და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმ ევრ. ხალხების ბრძოლაში თურქ-თათართა აგრესიის წინააღმდეგ. 2. *კონსტანტინოპოლის* „ს. ზ." 1720, ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რ-მაც შეცვალა 1713 *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება*. მან დაამტკიცა სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის და აღიარა არსებული საზღვრები, დაადგინა სასაზღვრო სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა; რუსეთს ხელახლა (1711 შემდეგ) მიეცა უფლება დიპლ. წარმომადგენლები ჰყოლოდა ოსმალეთში. ამ ზავით რუსეთმა უზრუნველყო სამხრ. ზურგის უსაფრთხოება *ჩრდილოეთის ომის* (1700—21) დამამთავრებელ ეტაპზე.

საულოთიყაუ (ყოფ. ქვემო ზლუბირი), სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (როკის სოფსაბჭო), მდ. ზლუბირის (დიდი ლიახვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1450 *მ*, ჯავიდან 32 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 54 *კმ*. როკის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ქვემო როკაში (5 *კმ*).

საუშცროსო, უმცროსი ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში; შდრ. *საუფროსო*.

„საუნჯე", ქართული ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახი. საქართვ. მწერალთა კავშირის ორგანო. გამოდის 1974-იდან თბილისში, 2 თვეში ერთხელ. ალმანახში იბეჭდება როგორც უცხოური, ისე საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტ-რის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანები (პროზა, პოეზია, კრიტ. წერილები, ესეები). თავდაპირველად ალმანახს გამოსცემდა გამომც. „მერანი"; ამჟამად გამოსცემს მხატვრული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია. მთავარ რედაქტორებად მუშაობდნენ კ. ლორთქიფანიძე (1974—76), შ. ნიშნიანიძე (1976—82), 1982-იდან რედაქტორია მ. მაჭავარიანი. ტირაჟი 10 ათ. (1985).

შ. ნიშნიანიძე.

საუპატიო, შეურაცხყოფის განსაკუთრებული საზღაური, პატივის შელახვისათვის დაწესებული ჯარიმა, რაც დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ ეკისრებოდა ძველ საქართველოში. ს. დაკანონებული იყო საკრძალავ ადგილას ჩადენილი დანაშაულისათვის (მაგ., „ვინცაცა მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატიოდ ოცდაათი გლეხი მართებს"), მოსამართლისადმი „ურიგოს კადრებისათვის", სხვისი მოახლის „გაწბილებისათვის" და სხვ. საისტ. წყაროებში ცოლის „განტევების", დედის გინების, წვერის დაგლეჯის, „ეზოს გატეხის" და „კაცის დაჭირვის" ს-ც იხსენიება. ს-ს ოდენობა შეურაცხყოფილის „სახდომელი პატივისა" და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. საჭიროებისას იგი დამნაშავეს ზარალის ანაზღაურებასა და *„სისხლთან"* ერთად მიესჯებოდა. ქალს კაცზე მეტი — „ორკეცი საუპატიო" (სახელდობრ, გინებისათვის დიდგვარიან „დიაცს" 10.000 *თეთრი*) ეძლეოდა ს-ს ითვალისწინებს ბაგრატ კურაპალატის სამართ. ფრაგმენტი და ვახტანგ VI-ის სამართალი, აგრეთვე მხითარ გოშის სამართ. ქართ. ვერსია ბექას და ალბუღას სამართალში ტერმინი „ს." „სასირცხო სამართლის" — სანებვზე დამნაშავის შიშვლად ჩათრევის, ე. ი. *გამაწბილებელი სასჯელის* მნიშვნელობით იხმარება (ანალოგიურია ვახტანგ VI-ის სამართ 218 მ.); შეურაცხყოფისათვის ქონებრივ სასჯელად აქ დადგენილია უპატიობის საზღაური, გიორგი ბრწყინვალის სამართალში კი — *უარჰანგობა*.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგნ. ქართლის ცხოვრება, ს ყაუხჩიშვილის გამოც., ტ 2, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც. ტ 1—6, თბ., 1963—77

ლიტ.: დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 75—76; მისივე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ 214—217 *ი. ფუტკარაძე.*

საურავი, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიხედვით, *პირგასამტებლოს* ერთ-ერთი სახე. ს-ს იხდის ბრალეული მხარე ვალდებულების შესრულების ვადის ყოველი დღის გადაცილების შემთხვევაში ან ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისათვის. ს. ვალდებულების დროზე შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხია. მისი გადახდა არ ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მმ. 184, 185).

საური, ირანის შაჰის სასარგებლოდ დაწესებული ფულადი გადასახადი XVI—XVIII სს. აღმ. საქართველოში. ქართ წყაროებში იხსენიება როგორც ს-ის, ისე „სათათრო საურის", „საყაენო საურის" ან „საყაენოს" სახელწოდებით. ს. საკომლო გადასახდელი იყო: მამულიანი გლეხის კომლი იხდიდა 70 კაპ., უმამულო (ბოგანო) — 10 კაპ. ქალაქის მოსახლ. განთავისუფლებული იყო ამ გადასახდელისაგან. ს. დროდადრო იკრიფებოდა, ყოველწლიურად არ იხდიდნენ. XVIII ს. II ნახევარში, როცა ქართლ-კახეთის სამეფომ ფაქტობრივად მოიპოვა დამოუკიდებლობა, ს. გაუქმდა.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს-ში, თბ., 1958; ქოიავა ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963. *ვ. გუჩუა.*

საურმაგი, ქართლის (იბერიის) მეფე, ფარნავაზის ძე. ქართ. საისტ. ტრადიციის თანახმად, მეფობდა ძვ. წ. III ს-ში. ქართ. წყაროების მიხედვით, ჩრდ. კავკასიელი ტომებისა და სხვა უცხოელთაგან შემდგარი სამხ. რაზმების დახმარებით ჩააქრო ქართლის ერისთავთა აჯანყება. ს-ს მიეწერება აგრეთვე ჩრდ. კავკასიიდან კავკასიელ ტომთა მნიშვნელოვანი მასის გადმოსახლება საქართველოს მთიანეთში. მის დროს ქართლის სამეფოს მეგობრული დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა სელევკიდების სამეფოსთან. „ქართლის ცხოვრება" ს-ს მიაწერს 2 ქალღმერთის — აინინასა და დანინას კულტის დამკვიდრებას და მცხეთის გზაზე მათი კერპების აღმართვას.

წყარო: ქართლის ცხოვრება, წგნ. ქართლის ცხოვრება, ს ყაუხჩიშვილის გამოც., ტ 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *გ. მელიქიშვილი*

საუფლისწულო, ფეოდალური მიწის მფლობელობის ფორმა საქართველოში ერთიანი ქართ. ფეოდ. მონარქიის ეპოქაში ს. ერქვა მეფის სახასო მამულიდან რ-იმე უფლისწულისათვის გამოყოფილ დროებით სამფლობელოს. XV—XVIII სს. სათავადოებში ს-ს უწოდებდნენ სათავადოს სახერთო-სახასო სამფლობელოდან გამოყოფილ ყმა-მამულს, რ-იც ეძლეოდა რომელიმე თავადიშვილის სახლს დროებით მფლობელობაში სარჩოდ და საცხოვრებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ს. შეიძლებოდა სხვა ოჯახს გადასცემოდა. ს-ს მფლობელს აქედან არც რაიმეს გაყიდვა შეეძლო, არც რაიმე ცვლილების შეტანა ყმა-გლეხთა ფეოდ. ვალდებულებებში (მაგ., გაანაზღაება-გათავისუფლება და სხვ.) თუ ეს მაინც მოხდებოდა, მხოლოდ სათავადოს სხვა წევრების დაკითხვით და საერთო თანხმობით. სათავადოს უფროსი (თავადი) ს-ს შინაურ საქმეებში ვერ ჩაერეოდა. ს მამულს, როგორც სახასოს ნაწილს, „სახელმწიფო ხარჯი" ედო.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955 *ნ. ასათიანი*

საუფროსო, იგივე საუხუცესო, ოჯახის გაყრისას უფროსი ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში. ქართ. საკანონმდებლო ძეგლებში ს-ს გვერდით იხსენიება აგრეთვე საუმცროსო და საშუალო. ს ცნობილი ყოფილა საქართველოში უკვე VIII—IX სს-ში. საეკლ. მოძღვრებთანახმად, შვილებს თანაბარი სამემკვიდრო უფლება ჰქონდათ, მაგრამ ქართ. ფეოდ. სამართალმა ეს დებულება არ გაიზიარა და XIX ს. I ნახევრამდე ს-ს ინ-ტი გარკვეული ჩანს იურიდ. დოკუმენტებში. *გიორგი მერჩულეს* თხზულებიდან ირკვევა, რომ ს-ს გარდა სხვა ქონება ძმებს შორის წილის ყრით თანაბრად ნაწილდებოდა. ს განსაკუთრებით გავრცელებული იყო თავად-აზნაურთა შორის. სწორედ ამ წრის თვის განსაზღვრავს ს-ს აღების წესს „*სამართალი ბატონიშვილის ეახტანგის*" (მ. 100). დავით X-ის განჩინება ბარათაშვილების გაყრის საქმეზე (1523) აწესებს და, რომ ზვრებისა და ხოდაბუნების გაყოფის დროს უფროს ძმას ს-დ „ათისაგან ერთი" ერგებოდა. ამავე პრინციპით იყო ფოდა აგრეთვე „სახლის ჭურჭელი" (თასები, ჭიქები, „ჩინურები", ქვაბები და სხვ.

ლიტ.: ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1974; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *გ. ნადარეიშვილი*

საუწყებო არბიტრაჟი, იხ. სტ. *არბიტრაჟი სსრ კავშირში.*

საუხოხი, მწვერვალი ოსეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3711 *მ*. აღებულია ქვედაცარცული კირქვებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. ს-ის კალთებზე ალპ. მდელოებია, თხემზე — სუბნივალური ლანდშაფტი. *მ. უთმელიძე*

საუხუცესო, იხ. *საუფროსო.*

საფაბრიკო კანონმდებლობა, კანონმდებლობა, რ-იც სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში აწესრიგებს მუშათა შრომის პირობებს ფაბრიკებსა და ქარხნებში. ს. კ-ის განვითარება დაიწყო საკანონმდებლო აქტების გამოცემით. აქტები ა გენდა იმ ბავშვთა მინ. ასაკს (9 წელი რ-თა დაქირავება დასაშვები იყო სხვად სხვა დარგის სამრეწვ. საწარმოში (ინგლ პარლამენტის 1802 და 1819 აქტები). 18 ინგლისში გამოქვეყნდა კანონი მოზარდებისა და ქალებისათვის საფეიქრო მრეწველობაში 10-საათიანი სამუშაო დღის შ მოღების შესახებ თანდათან ს. კ მრეწ სხვა დარგებზეც გავრცელდა. XIX ს. შ

ლებში მუშათა მოძრაობის ზრდასთან ბაკავშირებით საფაბრიკო კანონები მიღეს დას. ევრ. სხვა ქვეყნებშიც. რევოლუციამდელ რუსეთში ს. პ-ის განვითარება იწყო XIX ს. დასასრულს; ცალკეული კანონების მიღებას წინ უძღოდა მძაფრი აგიტაცია ბრძოლები. 1882 გამოსცეს კანონი „ქარხნებში, ფაბრიკებსა და მანუფაქტურებში მომუშავე მცირეწლოვანთა ესახებ". რ-ის მიხედვითაც აკრძალული ყო 12 წლამდე ბავშვთა შრომა. 1897 ანონით პირველად განისაზღვრა სამუშაო ღის ხანგრძლივობა (11,5 საათი)

იმპერიალ. ეპოქაში გაფართოვდა დაქირავებულ მუშაკთა შრომის პირობების საანონმდებლო რეგულირების სფერო. ასეთი საკანონმდებლო სისტემამ შრომის კანონმდებლობის სახელწოდება მიიღო. რსებითად კი იგი ნათლად გამოხატული ნტიმუშური მიმართულებისაა იხ აგრეთვე სტ *ანტიმუშური კანონმდებლობა*.

საფაბრიკო მარკა, ნაწარმზე ან მის ფუსფუთზე პროდუქციის დამამზადებლის ღნიშნა სსრკ-ში 1936-იდან კანონით ათვალისწინებულია ყველა წარმოებითი აწარმოს მიერ დამზადებულ საქონელზე უცილებელი ნიშანდება. ს. მ-ზე აღნიშნულია დამამზადებელი საწარმოს სრული ნ შემოკლებული სახელწოდება, მინიშნებულია მისი ადგილმდებარეობა, აღნიშნუია აგრეთვე საწარმოს მართვის ორგანოს სახელწოდება, საქონლის ხარისხი ა სახელმწ. სტანდარტის ნომერი. ს მ-ის ანიშნებულებაა საწარმოთა პასუხისმგებლობის ამაღლება გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. თუ ნაწარმს ან მის პროდუქციას არა აქვს ს. მ. ან არასწორი ნიშანებაა, საწარმოს ხელმძღვანელობას ეკისრება დისციპლინარული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საფაბრიკო-საქარხნო თვითმართება, იხ. *თვითმართებულება*.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების კოლა, დაბალი ტიპის პროფტექნიკური კოლა სსრკ-ში 1940—63. ამზადებდა მაბრივი პროფესიების მუშებს წარმოების ბვადასხვა დარგისათვის. 1959—63 ს.-ს ს-ები პროფტექ. სასწავლებლად გაკეთდა

საფანტი სანადირო, ლითონის ფრილი ბურთულები (ზოგჯერ კუბიკები), ებსაც გლუვლულიანი სანადირო თოფის ზნების დასატენად იყენებენ. ამზადებენ ტყვიისაგან, რ-საც ჩამოსხმის გასაადვილებლად მცირე რაოდენობის დარიშხანს. ხოლო სიმაგრისათვის სტიბიუმს უმატებენ. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ოფის ლულის ჟანგვა და შეამცირონ ყვიით შემოსვა საფანტის მარცვლებს არავენ სპილენძით, ქრომით ან ნიკლით.

საფანტიანი ბურღვა, საფანტით ურღვა, ბრუნვითი ბურღვა საფანის გამოყენებით. ს. ბ-ის თახამედროვე ექნოლოგია დამუშავებულია 1945—51 ვოლკოვისა და ი. ოსტროუშკოს მიერ. ბ-ის დროს ჭაბურღილში ყრიან 2,5—*8მ* დიამეტრის თუჯისა და ფოლადის საფანტს, რ-იც სარეცხი სითხის ჭავლის ემოქმედებით ხვდება გვირგვინის ქვეშ. ვირგვინის ბრუნვისა და ღერძული წნევის ედეგად ჭაბურღილის სანგრევში საფანტი გროვეს ქანს. მონგრეულ ქანსა და გაცვეთილ საფანტს ჭაბურღილიდან გამოიტანს რეცხი სითხე ან შეკუმშული ჰაერი. ს. ს ცვლის ალმასით ბურღვა (ზოგჯერ ადროდარტყმითი ბურღვა), რ-საც იყენებენ ძლიერ მაგარ და აბრაზიულ ქანებში.

საფანტსატყორცნი და საფანტჯავშური დამუშავება, ლითონის ნაკეთობათა ზედაპირის მექანიკური დამუშავება ჯუჯის ან ფოლადის საფანტის ჭავლის არტყმით. იყენებენ სხმულისა და ნაშტამბის გასაწმენდად მიმწვარი მიწისაგან, ლითონის ჟანგეულებისაგან და სხვ., აგრეთვე ცივნაჭედის წარმოსაქმნელად დალილობითი სიმტკიცის გასაზრდელად (იხ. *დაღლილობა ლითონისა*). მსხვილსერიულ და მასობრივ ნაკადურ წარმოებაში ს. და ს დ მიმდინარეობს კონვეიერულ ავტომატიზებულ კამერებში.

საფანტური ეფექტი, ელექტროვაკუუმურ და ნახევრადგამტარიან ხელსაწყოებში ანოდური დენის უწესრიგო ცვლილება (ფლუქტუაცია), რასაც იწვევს კათოდიდან ელექტრონების არათანაბარი ემისია (ამოფრქვევა) ან ნახევრად გამტარში მუხტების გადამტანთა არათანაბარი დიფუზია. ს. ე. თეორიულად იწინასწარმეტყველა გერმ. მეცნ. ვ. შოტკიმ 1918. ელექტროვაკუუმური ხელსაწყოს კათოდის გახურებისას იზრდება ელექტრონების თბური მოძრაობის სიჩქარე. ამის შედეგად ელექტრონების ნაწილი, რ-თა კინეტიკური ენერგია *გამოსვლის მუშაობას* აღემატება, ამოიტყორცნება კათოდის ზედაპირიდან (იხ. *თერმოელექტრონული ემისია*). ამოფრქვევამდე ელექტრონი მრავალჯერ ეჯახება კათოდის შიგნით ატომებსა და ელექტრონებს, რაც იწვევს ყოველი ელექტრონის სიჩქარის სიდიდისა და მიმართულების შეცვლას ეს კი თავის მხრივ იწვევს კათოდიდან დროის ტოლ შუალედებში ამოტყორცნილი ელექტრონების რიცხვის ცვალებადობას, რის შედეგად ემისიის დენი განიცდის შემთხვევით გადახრას ანოდური დენის ფლუქტუაციის სიდიდე დამოკიდებულია ხელსაწყოს მუშაობის რეჟიმზე. თუ *ელექტრონულ მილაკში* ყველა ემიტირებული ელექტრონი ანოდზე მოხვდება, ემისიის ფლუქტუაციები ანოდურ დენში ზუსტად განმეორდება, ხოლო თუ კათოდიდან ამოტყორცნილი ზოგიერთი ელექტრონი არ მოხვდება ანოდზე, მაშინ კათოდის ახლოს წარმოიქმნება უარყოფითად დამუხტული ღრუბელი, რ-იც დემპფერის დანიშნულებას ასრულებს და ამცირებს ანოდური დენის საფანტურ ფლუქტუაციას. ს. ე-ის შედეგად მაძლიერებელსა და რადიომიმღებთან მიერთებულ ხმამაღლამოლაპარაკეში წარმოიქმნება აკუსტიკური ხმაური, რ-იც მოგვაგონებს საფანტის ცვენით გამოწვეულ ხმაურს.

საფარგალე, სპეციალურ ბუდეში მოთავსებული სახაზავი ინსტრუმენტების ნაკრები ს-ში შედის წრიული *ფარგალი*, *რაისფედერი*, მცირე წრეწირის (დიამეტრი — 10—15 *მმ*) გამოსახაზავი *კარაკინი*, ფარგალ-საზომი ზომათა ასაღებად და გადასატანად და სხვ. სსრკ-ში ამზადებენ საკონსტრუქტორო და პირგადასაღებ, უნივერს სასკოლო და პორტატიულ ს-ებს.

საფარველი ცხოველთა ორგანიზმებისა, ცხოველებისა და ადამიანის სხეულის ნაწილი, რ-იც სხეულის გარეთა ზედაპირს ქმნის, განიცდის გარე სამყაროს უშუალო ზემოქმედებას და ასრულებს მრავალ სასიცოცხლო ფუნქციას: სხეულს იცავს მექანიკური დაზიანებისაგან, არეგულირებს გამოყოფისა და ორგანიზმში წყლის შემცველობას, სუნთქვის, რეცეფციის, თერმორეგულაციის და სხვ ფუნქციებს. სხეულის საერთო ს-ს ქმნის *კანი* და აგრეთვე ემოლ პროცესში მისი შემადგენელი ნაწილების ხარჯზე წარმოქმნილი გარეგანი ანუ *კანისეული ჩონჩხი* (იხ. *კუტიკულა*, *ქიტინი*, *ნიჟარა*, კანისეული ძვლები), ამა თუ იმ ტიპის რქოვანი ს. (იხ. *ქერცლი*, *ბუმბული*, *თმა*), კანისეული ჯირკვლები (იხ. *საოფლე ჯირკვლები*, *ქონის ჯირკვლები*, *სარძევე ჯირკვლები*), კანისეული *რეცეპტორები* და სხვ.

ლ. ნათაძე.

საფართესლოვანები, საფრანთესლოვანები (Gnetopsida). შიშველთესლოვან მცენარეთა კლასი. შეიცავს 3 რიგს: ეფედრასნაირნი (Ephedrales), ველვიჩიასნაირნი (Welwitschiales) და გნეტუმისნაირნი (Gnetales) თითოეულ რიგში თითო ოჯახი და თითო გვარია (შესაბამისად გვარები ეფედრა, ველვიჩია და გნეტუმი). სამივე გვარი საერთო ნიშნებით ხასიათდება: მეორეულ ქსილემაში ჭურჭლების არსებობით, სტრობილების კრებულის დიქაზიური დატოტვით, სტრობილების ირგვლივ ყვავილსაფრის მსგავსი საფრის არსებობით, გრძელი მიკროპილური მილებით, ორლებნიანი ჩანასახით, მოპირისპირედ განწყობილი ფოთლებით. ს. განსხვავდება ყველა სხვა შიშველთესლოვანი მცენარისაგან. მკვლევართა ნაწილი სამივე გვარის საერთო წინაპრად ბენეტიტალეებს მიიჩნევს. ნაწილი კი ს-ის გეოგრ. გავრცელების მიხედვით ფიქრობს, რომ ეს გვარები ახლო ნათესაობით არ უნდა ხასიათდებოდნენ. მიკროსპორების გარსების ელექტრომიკროსკოპული შესწავლა ადასტურებს ამ გვარების ნათესაობას. *ზ. ლვინიანიძე.*

საფარი, ხელოვნური ნაგებობა, შახტი ან ბუნებრივი ფერდობი, ხეობა, ხრამი, ტყის მასივი, გამოქვაბული და სხვ., რ-თაც იყენებენ ჯარის პირადი შემადგენლობისა და სამხ. ტექ. დასაცავად მტრის ცეცხლისაგან, ცუდი ამინდისაგან ან შენიღბვის მიზნით. ს-ია *სანგარი*, *ტრანშეა*, *ბლინდაჟი*, საცეცხლე ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების თავშესაფარი, აგრეთვე არსებული საცხოვრ., სამრეწვ. და სამეურნეო შენობები.

საფარიანი სამეელ არაქელის ძე [9 (22). VI. 1902, შუშა, მთიანი ყარაბაღი, — 9. I. 1969, ერევანი], საბჭოთა არქიტექტორი, სომხ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). დაამთავრა ერევნის უნ-ტის ტექ. ფაკ-ტის არქიტ. განყ-ბა (1928). 1932-იდან ასწავლიდა ერევნის პოლიტექ. ინ-ტში. ნამუშევრები: სომხ. სსრ პავილიონი მოსკ. სას.-სამ. გამოფენაზე (1939, კ. ალაბიანთან ერთად), სომხ. სსრ მეცნ. აკად. შენობათა ანსამბლი ერევანში (1950—70); სამეცნ.-კვლ. ინ-ტის 2 კორპუსი (მ. მანველიანთან ერთად). დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

საფარიდები, ირანული დინასტია; ხელმწიფოს განაგებდა 861—900. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზრაბთა ბატონობისაგან ირანის განთავისუფლებაში. დინასტიის დამაარსებლები იყვნენ იაკუბ იბნ ლაისი და მისი ძმა ამრი, სისტანელი გლეხები. იაკუბი მესპილენძის ქარგალი იყო. (სპარს. საფარ — მესპილენძე, აქედან — დინასტიის სახელწოდება). იაკუბი დაწინაურდა ხალიფის ჯარში, ჩამოიშორა თავისი მხედართმთავარი (სისტანის გამგებელი) და 861 სისტანის ამირა გახდა. 873-თვის მას უკვე ეპყრა მთელი სამხრ. და აღმ. ირანი და ახლანდ. ავღ. ტერიტ. ნაწილი, 873 მიიტაცა ტაჰირიდების სამფლობელოები ხორასანში. 875 უშედეგოდ გაილაშქრა ბაღდადზე, ს-მა ამრიმ (გამგებლობდა 879—900) თავი ხალიფის ნაცვლად აღიარა და მისგან აღმ. ირანის მართვის სიგელი მიიღო. 900 და 908 შორის ს-ის სამფლობელოები სამანიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. ს-მა შეძოიღეს ახ. გადასახადები.


საფარი ნაგებობა ნავსადგურის აკვატორიისა, ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რ-ის დანიშნულებაა *ნავსადგურისა* და *ავანპორტის* აკვატორიის დაცვა ტალღების ზემოქმედებისაგან, ზოგჯერ კი—ყინულისა და ნატანისაგან. ს. ნ-ს აშენებენ ზღვის, ტბის ან წყალსაცავის ღია ან ნაზეარად დაცულ სანაპიროზე. ს. ნ-ს ერთმანეთისაგან განასხვავებენ გეგმაში განს. საფარიანი. ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის შენობა. დასრულდა 1955.



ლაგების მიხედვით (*მოლოები და ტალღამტეხები*), ფორმის მიხედვით [ვერტ. (ნახ. 1) და დაფერდებული (ნახ. 2)]. ადგილ. პირობების, ნაპირის მოხაზულობის, ღელვის მიმართულებისა და ხასიათის, აგრეთვე ნავსადგურის დანიშნულების შესაბამისად ს. ნ. შეიძლება შედგებოდეს 1 ან 2 მოლოსაგან, ტალღამტეხის ან მათი შეუღლებისაგან. მოლოსა და ტალღამტეხს შორის გემებისათვის ტოვებენ თავისუფალ გასასვლელს—ნავსადგურის ჭიშკარს. ამასთან ერთად ითვალისწინებენ ორ მოთხოვნას: 1. ნებისმიერ ამინდში გემების ნავსადგურში შესვლისა და იქიდან გამოსვლის მოხერხებულობას და 2. ნავსადგურის შიგა აკვატორიაში ნავსადგურის ჭიშკრიდან ტალღების მინ. შეღწევის უზრუნველყოფას. ს. ნ-ის განლაგება ვარაუდობს ისეთი აკვატორიის შექმნას, რ-იც მოსახერხებელი იქნება საჭირო რაოდენობისა და საანგარიშო გაბარიტის გემების გასაჩერებლად და მანევრირებისათვის. აკვატორიის ფორმა და ზომები უნდა უზრუნველყოფდნენ ნავსადგურის ჭიშკრიდან შეღწეული ტალღების ჩაქრობას. ყოველ ს. ნ-ს ზღვის (წყალსაცავის) მხრიდან ტალღის დარტყმის მისაღებად შემოსაზღვრავენ გაფართოებული სათავო ნაწილით (თავით), რ-საც გეგმაში აქვს გარსშემოდენილი ფორმა.



ს. საფაროვა-აბაშიძე.



საფარი ნაგებობა. ნახ. 1. გიგანტური მასივებისაგან დამზადებული მოლო.



საფარი ნაგებობა. ნახ. 2. ქვაყრილისა და ხელოვნური ბლოკებისაგან დამზადებული მოლო.

ლიტ.: Порты и портовые сооружения, ч. 1—2, М., 1964—67.

საფარისი, XII ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგი საფარისის ანუ საფარელის მონასტრის *სამეკლესიანი ბაზილიკა*. მდებარეობს წინანდლიდან 5 *კმ*-ზე, მდ. კისისხევის მარჯვ. ნაპირზე. ნაგებია რიყის ქვით. აღმ. ფასადის სარკმლები, თაღები და კარნიზი შირიმის თლილი ქვისაა. მთავარი ეკლესია შუა ნაგებია მოთავსებული. გადახურულია კოლოფა კამარით. აღმ. ფასადზე ჩარჩოში ჩასმული რელიეფური ჯვარია ამოკვეთილი, ჯვარია ამოკვეთილი დას. ფასადზეც. ეკლესიის ჩრდ-ით აღმართული აგურის ორსართულიანი სამრეკლო XIV—XV სს-შია აშენებული.

საფარის მონასტერი, ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, ხუროთმოძღვრების ძეგლი. სამცხის მფლობელ ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია. დაარსებულია არა უგვიანეს X ს-ისა. მდებარეობს ახალციხიდან 10—12 *კმ*-ზე.



საფარის მონასტერი. წმ. საბას ტაძარი. სამხრეთ-დასავლეთის ხედი. XIII ს. დასრული.

კომპლექსის ყველაზე ადრინდ. შენობაა X ს. მიძინების ერთნავიანი ეკლესია (ამ ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები ინახება საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმში). წმ. საბას მთავარი ეკლესია, სამრეკლო და სასახლე XIII ს. დასასრ. და XIV ს. დასაწყ. მიეკუთვნება, როცა სამცხეს ბექა მანდატურთუხუცესი, სარგისის ძე განაგებდა (სარგისი, ბექა და მისი ვაჟები — სარგის II და ყვარყვარე დახატული არიან წმ. საბას ეკლესიის კედელზე). ჯაყელებმა საფარა თავის რეზიდენციად და საძვალედ აქციეს. ტაძრისა და კარიბჭის სარკმლის წარწერაში მოხსენიებულია ხუროთმოძღვარი *ფარეზასძე*. წმ. საბას ტაძარი შეუღლი კლდის პირზეა აღმართული. მის ასაშენებლად საჭირო გამხდარა არა მარტო ადგილის მოშანდაკება, არამედ კლდის ქიმზე საგანგებო საყრდენის ამოყვანაც. ძეგლის ფასადების დამუშავებაში, ორნამენტსა და ტექ. შესრულებაში ახლებური ხერხები ჩანს, მაგრამ წარსულთან კავშირი კვლავ საგრძნობია. ახ. ნიშნებმა თავი იჩინა, პირველ ყოვლისა, შენობათა ნაწილების შეფასოდებაში (შდრ. *ბეთანია, ფიტარეთი*). გუმბათის ყელი დადაბლებული და გაფართოებულია, რის შედეგადაც შენობის კორპუსი უფრო მაღალი ჩანს. ფასადებზე თავისუფალი, გლუვი ზედაპირები მეტია, ვიდრე წინათ იყო, გუმბათის ყელზე ნამდვილ სარკმლებს ენაცვლება ყრუ სარკმლები, რ-ებიც ისეევა გაფორმებული საპირეებით როგორც ნამდვილი. ინტერიერში კვლავ ჩნდება პატრონიკენი, მაგრამ მას წმინდა დეკორ. მნიშვნელობა აქვს. დას. კარიბჭე უწვეულოდ მაღალია. მისი შიგა სივრცე, ღია თაღები, ეარსკვლავისებური კამარები უხვადაა შემკული ჩუქურთმებით. შენობაზე ბევრი წარწერაა. სამრეკლო ადრინდ. ქართ. სამრეკლოების ტიპისაა. ქვედა კუბურ ნაწილში ჯაყელთა მსახურთუხუცესის ლასურისძის საგვარეულო სამარხი იყო, ზემოთ — საკუთრივ სამრეკლო. მონასტრის ტერიტორიაზე გაფანტული სხვა სამლოცველოები XIV—XVI სს. მიეკუთვნება. მონასტერს თავს დაჰყურებდა ციხე, გარშემო გალავანი ერტყა. XVI ს-ში მიტოვებული მონასტერი XIX ს-ში რუსმა ბერებმა განაახლეს, ზოგი რამ ააშენეს, შეაკეთეს ან გადააკეთეს, რამაც პირვანდელი სახის დამახინჯება გამოიწვია. ს. მ-ის მოღვაწეთა მთავარი წარმომადგენელია კათალიკოსი *არსენ I* (IX ს.). X—XI სს-ში აქ იღვწოდნენ ივანე და გაბრიელ საფარელები, XII ს-ში — იოანე მტბევარ-საფარელი, XII—XIII სს. მიჯნაზე — მწიგნობარი ეფრემი, XVI ს-ში — ცნობილი კალიგრაფი სვიმეონ კარგარეთელი, XVIII—XIX სს-ში — გადამწერები მიტროფანე საფარელი, ქრისტესია სამადაშვილი და სხვ.

ლიტ.: ბერიძე ვ., სამცხის ხუროთ. მოძღვრება. XIII—XVI სს., თბ., 1955.

ვ. ბერიძე. ლ. მენაბდე.

საფარლო (ყოფ. ლაკლაშენი), სოფელი დმანისის რ-ნში (ამამლოს სოფსაბჭო), ლოქის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1100 *მ*, დმანისიდან 6 *კმ*. ამამლოს მერძეველობა-მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

საფაროვა-აბაშიძე მაკო (მარიამ) მიხეილის ასული (18. II. 1860, თელავი, — 25. V. 1940, თბილისი), ქართველი მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1925). სცენური მოღვაწეობა დაიწყო 1879 ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის მიერ განახლებულ ქართ. პროფ. თეატრში. მისი მაღალნიჭიერი, რეალისტური ხელოვნება გამორჩეოდა სოც. უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით; დიდი ოსტატობით ასრულებდა როგორც დრამ., ისე კომედიურ (მონაწილეობდა ოპერეტებშიც) როლებს: ნატალია (გ. სუნდუკიანის „ხათაბალა"), კლოდინა, ტუანეტი (მოლიერის „ჟორჟ დანდენი", „ეჭვით ავადმყოფი"), ელენე, მაშო (ცაგარლის „კუდურ ხანუმა", „ციმბირელი"), ლიზა (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), მარია ანტონოვნა (გოგოლის „რევიზორი"), ფიხოში (დ. ერისთავის „სამშობლო"), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი"), ლუიზა (დენერისა და კორმონის „ორი ობოლი"), ოლინა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი"). ს. ქართულად თარგმნიდა რუს და ფრანგ. პიესებს.

ლიტ.: ზურაბიშვილი ი., ოთხი პორტრეტი, თბ., 1948; ჩხეიძე დ., მაკო საფაროვა-აბაშიძე, თბ., 1963.

კ. ნიჟარაძე.

საფარძევე თესვა, თესვის წესი, რ-ის დროსაც ერთსა და იმავე მინდორზე ძირითად კულტურასთან შეთესილი, რომელიმე სას.-სამეურნეო კულტურა. ასეთ შემთხვევაში ძირითად კულტურას საფარი ჰქვია, შეთესილს — საფარქვეშა. მაგ., ერთწლოვანი თავთავიანი მარცვლოვანების საფარქვეშ თესავენ მრავალწლოვან ბალახებს — იონჯას, სამყურას და ა. შ.

შ. ჭანიშვილი.

საფასე, ფულის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი ძვ. საქართველოში. იხსენიება ძვ. ქართულ ისტ. და ლიტ. ძეგლებში. იხ. აგრეთვე *მონეტა*.

ჯ. დუნდუა.

საფალარათო საშუალებანი, სამკურნალო ნივთიერებათა ჯგუფი, რ-თაც იყენებენ *ყაბზობის* დროს კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოსაწესრიგებლად. ქიმ. შედგენილობის მიხედვით ს. ს. შეიძლება იყოს არაორგ. (გლაუბერის მარილი, მანგანუმის სულფატი) და ორგ. ნაერთები — ზეთები (ვაზელინის, აბუსალათინის), მჟავები და სხვ. ს. ს-დ იხმარება მცენარეებიც (მაგ., რევანდის ძირი). ზოგიერთი ს. ს. იწვევს ნაწლავების ლორწოვანი გარსის ქიმიორეცეპტორების გაღიზიანებას (ფენოლფთალეინი, რევანდი), აუმჯობესებს ნაწლავების შიგთავსის ჩქან. გადაადგილებას (ვაზელინის და სხვ. მცენარეული ზეთები); მარილიანი ს. ს. აძლიერებენ ნაწლავების პერისტალტიკას. ამ მიზნით ზოგჯერ იყენებენ მინერ. წყალს, სელის თესლს, ზღვის კომპოსტოს და სხვ. ყაბზობის გარდა ს. ს. იხმარება ნაწლავებიდან შხამებისა და უცარგისი საკვები პროდუქტების გამოსაძევებლადაც (მარილიანი ს. ს.). ს. ს-ის ხმარება არ შეიძლება ნაწლავების ანთებითი პროცესების, ორსულობისა და სხვ. შემთხვევებში.

საფაშო, პროვინცია ან ოლქი (ეიალეთი) ოსმალეთის იმპერიაში, რ-საც ფაშა განაგებდა.

საფეიქოჯი, სეფიდ-ქოჰი, ქედი ფაროფამიზის სისტემაში, ავღანეთში. სიგრძე დაახლ. 350 *კმ*, სიმაღლე 3642 *მ*-მდე. დიდ მანძილზე ჰყოფს მდ-ების მურღაბისა და ჰარირუდის ხეობებს. უმთავრესად აგებულია კირქვებით დანაწევრებულია ხეობებით. კალთებზე ნახევარუდაბნოა. ხარობს მეჩხერი ღვიანები და ფსტა.

საფეიქრო, ქართული ხალხური შრომის პოეზიის სახეობა, ფეიქართა შრომასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. ასახავს ჩეჩვისა და ქსოვის პროცესს. უპირატესად ქალთა რეპერტუარს განეკუთვნება. შესრულების მიხედვით განასხვავებენ ინდივიდ. და კოლექტ. ნიმუშებს. ს-ს ცნობილი ნიმუშია „ძილო, რასა მეძინები".

ლიტ. იხ. სტ-თან სავენახო.

საფეიქრო და მსუბუქი მანქანათმშენებლობა, *მანქანათმშენებლობის* სპეციალიზებული დარგი, რ-იც ტექნოლოგიური მოწყობილობებითა და მათი სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფს მსუბუქ მრეწველობას, ქიმიური ბოჭკოს მრეწველობას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, ხოლო ინდივიდუალური გამოყენების საკერავი და საქსოვი მანქანებით — მოსახლეობას.

რუსეთში საფეიქრო მანქანების წარმოება დაიწყო XIX ს. დასაწყისში (1823)

პეტერბურგში, ალექსანდროვსკის მანუფაქტურაში. მაგრამ იგი დიდად არ განვითარებულა. ძირითადად მარტივი კონსტრუქციის მანქანები მზადდებოდა. მოწყობილობები მსუბუქი მრეწველობისათვის შემოპქონდათ უცხოეთიდან (დიდი ბრიტანეთი). ს. და მ. მ-ის განვითარება დაჩქარდა საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 20-იანი წწ. შუა ხანებიდან. 1932 გამოშვებულ იქნა (ცალობით) 39 სართავი, 89 ძაფსახვევი, 300 საქსოვი დაზგა და 8800 სამრეწვ. საკერავი მანქანა. ს. და მ. მ-ის საწარმოები ამოქმედდა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ტულაში, ივანოვოსა და სხვა ქ-ებში.

ს. და მ. მ. სწრაფად ვითარდება სამამულო ომის (1941—45) შემდგომ წლებში (იხ. ცხრ. 1); აშენდა მრავალი ახ. საწარმო, გაფართოვდა წარმოების მატერ.-ტექ. ბაზა. ათვისებულ იქნა თანამედროვე მაღალი წარმადობის მოწყობილობათა წარმოება. 1971—81 შეიქმნა ახ. ტიპის მოწყობილობათა 1351 ნიმუში მსუბუქი მრეწველობისათვის. 1982 გამოშვებულ იქნა 844 მლნ. მანეთის ტექნოლ. მოწყობილობები და მათი სათადარიგო ნაწილები (მ. შ. 66.3% საფეიქრო მოწყობილობები და მათი სათადარიგო ნაწილები), რაც 4 პუნქტით აღემატება 1965 მაჩვენებელს. შეიცვალა შიდადარგობრივი სტრუქტურა. არსებითად გაუმჯობესდა პროდუქციის ტექ.-ეკონ. მაჩვენებლები, ამაღლდა მისი ხარისხი. ამჟამად ს. და მ. მ. ბამბეულის მრეწველობისათვის ამზადებს ნაკადურ ხაზებს, კომპლ. სართავ და საქსოვ ავტომატიზებულ მოწყობილობებს, ნაკადურ ხაზებსა და აგრეგატებს სამღებრო-გამომყვანი წარმოებისათვის, სართავ მანქანებს, მაქოიანს და უმაქოო საქსოვ დაზგებს, ნახევრად ავტომატიზებულ ხაზებს ფეხსაცმლის წარმოებისათვის. მოწყობილობებს ტყავის, უქსოვი ქსოვილების წარმოებისათვის. მაღალი კლასის სამრეწვ. საკერავ მანქანებს და სხვ.

ს. და მ. მ. განვითარებულია სხვა სოციალ. ქვეყნებშიც: ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. განვითარებული კაპიტალ. ქვეყნებიდან ს. და მ. მ-ის პროდუქციის 9/10-ზე მეტს ამზადებს 7 ქვეყანა: აშშ, გფრ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია.

საფეიქრო მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი და მსხვილი დარგი, რ-იც ამზადებს საფეიქრო და ტრიკოტაჟის ქსოვილებს, აგრეთვე სხვა ნაწარმს მცენარეული, ცხოველური და ქიმიური (ხელოვნური და სინთეზური) ბოჭკოებისაგან. ს. მ-ის პროდუქციას იყენებენ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებაში და მრეწვ. სხვა დარგებში (მაგ., საავეჯო წარმოებაში, მანქანათსაშენ მრეწველობაში და სხვ.).

საქართვ. ს. მ-ში შედის: ნედლეულის პირველადი დამუშავების, ბამბის, შალის, აბრეშუმის, უქსოვი მასალების, საფეიქრო გალანტერიის, ტრიკოტაჟისა და ქეჩა-თექის დამამზადებელი დარგები. ს. მ-ს საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. შალის ნართის დამზადება და ხელით ქსოვა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში. საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ს. მ-ის განვითარებას ყურადღება არ ექცეოდა. დამზადებული აბრეშუმის პარკი და ნედლი აბრეშუმი, ავრეთვე მატყლი, ნაწილობრივ შინამრეწველური წესით მუშავდებოდა, ხოლო მეტი წილი რუსეთში და საზღვარგარეთ იგზავნებოდა.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში განხორციელდა საფაბრიკო საწარმოთა ნაციონალიზაცია, დაიწყო მათი შეკეთება და განახლება, საფუძველი ჩაეყარა ახ. საწარმოთა მშენებლობას. სწრაფად განვითარდა ს. მ. 1923—28, უფრო სწრაფად—I და II ხუთწლედებში 1929—37 (ცხრ. 1).

1921—28 მეაბრეშუმეობის ძირითად რ-ნებში: ქუთაისში, წულუკიძეში, სამტრედიაში, მაზარაძესა და თელავში აშენდა აბრეშუმის სახვევი და სართავი ფ-კები. 1929 საექსპლუატაციოდ გადაეცა მაუდკამოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო", 1930 — ქუთ. ტრიკოტაჟის ფ-კა, 1937 — ქუთ. აბრეშუმის კომბინატი.

ომის შემდგომ წლებში მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგა ს. მ-ის მსხვილი საწარმოები: თბილ. ტრიკოტაჟის ფ-კა (1950), გორის ბამბეულის კომბინატი (1951), ცხაკაიას ხალიჩების (1961), თბილ. აბრეშუმის ეკაკარდული, (1962), თბილ. კამოლური დართვის (1963), სამტრედიის ბამბის სართავი (1963) ფ-კები, აბრეშუმის კომბინატის სამღებრო-გამომყვანი წარმოება (1970), თბილ. წინდების (1970), ტრიკოტაჟის (1978), ცხინვალის ტრიკოტაჟის ფ-კები (1980), სოფ. შულავრის მატყლის სარეცხი და ქეჩის საწარმოები, სარხერის სართავი ფ-კა (1983) და სხვ.

ახ. სიმძლავრეების ექსპლუატაციაში შეყვანამ, დიდმწარმოებლური დანადგარების დანერგვამ, საწარმოთა გადაყვანამ დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების ახ. სისტემაზე უზრუნველყო ს. მ-ის საწარმოებში პროდუქციის წარმოების ზრდის მაღალი ტემპები (იხ. ცხრ. 2).

საქართვ. ს. მ. აწარმოებს რესპ. მსუბუქი მრეწვ. მთლიანი პროდუქციის 62,5%, მასზე მოდის სამრეწვ. საწარმოო პერსონალის 45,2% და ძირითადი სამრეწვ. საწარმოო ფონდების ღირებულების 62,1%. ს. მ-ში საგრძნობლად განახლდა და გაფართოვდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი, ათვისებულია შალისა და აბრეშუმის ქსოვილების წარმოება ქიმ. ბოჭკოების გამოყენებით, უქსოვი ქსოვილების გამოშვება, ფართოდ არის გამოყენებული აცეტატური აბრეშუმი, ლავსანი, ნიტრონი, შელონი და სხვ. დიდი ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

პროდუქციის გამოშვების ზრდასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას განაპირობებს საწარმოთა ტექ. აღჭურვილობა, ახ. ტექნოლ. დანერგვა და შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია (იხ. ავრეთვე სტ. *მსუბუქი მრეწველობა*). *ო. გიორგობიანი.*

საფეიქრო მრეწველობის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩამოყალიბდა 1960, ექვემდებარება სსრკ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს; ინ-ტის ძირითადი ამოცანაა ახ. ასორტიმენტის ქსოვილების, უქსოვი და ტრიკოტაჟული ტილოების, ნატურალური და ქიმ. ბოჭკოების ძაფისა და ნართის ახ. ასორტიმენტის დამუშავება, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია, საფეიქრო მრეწვ. პროდუქციაზე ახ. ნორმატიულ-ტექ. დოკუმენტაციის დამუშავება და მოქმედი დოკუმენტაციის გადასინჯვა. ინ-ტის კოორდინაციული თემატიკა სრულდება სსრკ-ში და ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებშიც. ინ-ტში 38 ქვეგანყოფილებაა: აბრეშუმის, შალის, ტრიკოტაჟის, უქსოვი ტილოებისა და სხვ., აქვს საკუთარი ექსპერ. წარმოება. ინ-ტი მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სომხ. და აზერბ. სსრ-ების საფეიქრო მრეწვ. კვლევით ლაბორატორიებს.

საფეიქრო ქსოვილი, ნაკეთობა, რ-საც ლებულობენ საქსოვ დაზგებზე ურთიერთპერპენდიკულარული და ერთმანეთთან ხლართებით შეერთებული გრძივი (ქსელი) და განივი (მისაქსელი) ძაფებისაგან. მისი სისქე 0,1—5 *მმ*-ია, სიგანე — 1,5 *მ* (ზოგჯერ 12 *მ*-მდე აღწევს). წარმოება უშვებს სხვადასხვა სიერძის ს. ქ-ს. იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ბოჭკო, რ-ისგანაც გამომუშავებულია ნართი, ს. ქ. არის ბამბის, შალის, აბრეშუმის, სელის, ქიმ. ბოჭკოსი. ს. ქ. შეიძლება იყოს ერთგვაროვანი (შალის, სელის, ბამბის და სხვ.), შერეული (სხვადასხვა ბოჭკოს ნარევისაგან, მაგ., სელისა და ლავსანის, ერთი ტიპის ძაფისაგან დამზადებული) და არაერთგვაროვანი (მაგ., ბამბის ქსლითა და შალის მისაქსელით). საქსოვი დაზგებიდან მოხსნილ ს. ქ-ს ეწოდება ხამი ქსოვილი, რ-საც შემდეგ ამუშავებენ, ათეთრებენ, ღებავენ, ჩითავენ, უტარებენ აპრეტირებას, აუთოებენ და სხვ. ს. ქ. გამოდის გათეთრებული, ერთ ფერად შეღებილი და დაჩითული. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ საყოფაცხოვრებო და ტექნიკურ ქსოვილებს. ს. ქ-ს აგებულების მახასიათებლებია ხაზოვანი სიმკვრივე, ძაფის სისქე, ზედაპირის ხასიათი, სიმკვრივე, ხლართების სახეობა და სხვ. ზედაპირული სიმკვრივე იცვლება 30 *გ/მ²*-იდან (კრეპშიფონი და სხვ.) 1 *კგ/მ²*-მდე (ბრეზენტი, ბელტინგი და სხვ.).

ლიტ.: Кукин Г. Н., Соловьев А. Н., Текстильное материаловедение, ч. 3, М., 1967.

საფეიქრო წარმოება, საფეიქრო ქსოვილის მისაღები ტექნოლოგიური პროცესების (მოსამზადებელი ოპერაციები, საკუთრივ ქსოვა და საბოლოო ოპერაციები) ერთობლიობა. მოსამზადებელ საამქროში ქსლის ნართს სართავი ნახვევებიდან და შულოებიდან გადაახვევენ კონუსურ ბობინებზე ან კოჭებზე, შემდეგ კი — ქსლის ღერძზე. ქსელვის პროცესი საქსელავ მანქანებზე მიმდინარეობს. შემდეგი პროცესია ქსლის ნართის გახამება; გახამებულ ნართს გაატარებენ ქსელმეთვალყურე ფირფიტებში, დგიმის თვლებსა და სავარცხლის კბილებში, ქსლის ძაფებს კი — სპეც. ძაფსაყრელ დაზგებზე. ს. წ-ში ფართოდ იყენებენ ავრეთვე ძაფსანასკვ მანქანებს. ს. წ-ში მისაქსელის ნართს უმეტე-

საფეიქრო და მსუბუქი მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება 1940—1982 წწ.

	წლები		1982 გადიდდა 1940-თან შედ.
	1940	1982	
ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები მსუბუქი მრეწველობისათვის (მლნ. მანეთი) . .	311*	840	23,38 ჯერ
აქედან საფეიქრო მრეწველობისათვის (მლნ. მან.)	188*	560	3 „—"
სარჩი მანქანები ბამბეულის ქსოვილების მრეწველობისათვის (ც.) . . .	1312	2800	2,1 „—"
ძაფსახვევი მანქანები (აბრეშუმის ძაფსახვევის გარდა) (ც.)	27	680	25,2 „—"
ძაფსართავი მანქანები (ც.)	1109	4300	3,9 „—"
საქსოვი დაზგები (ათასი ც.)	1,8	22,2	12,3 „—"
სამრეწველო საკერავი მანქანები (ათასი ც.)	20,3	156,0	7,7 „—"
წინდების ავტომატური საქსოვი მანქანები (ც.)	1243	3500	2,8 „—"

* 1965; 1955 წ. 1 ივლისის საწარმოს საბითუმო ფასებში.

ცხრ. 1. საქართველოს საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის წარმოება 1928—40

პროდუქციის სახეობა	1928	1940	1940 წ. 1929-თან შედარებით გაიზარდა
ბამბის ქსოვილები მლნ.	0, 1	0,4	4-ჯერ.
შალის „—"	0, 1	0,9	9-ჯერ.
აბრეშუმის „—" . . .	0,06	5,3	88,3-ჯერ.

ცხრ. 2. საქართველოს საფეიქრო მრეწველობის განვითარება (%-ით, 1940-თან შედარებით)

დარგები	1950	1960	1970	1975	1980	1983
საფეიქრო მრეწველობა სულ	152	371	731	1068	1583	1820
მათ შორის:						
ბამბის	163	1370	1288	2562	2800	3024
შალის	165	399	805	1014	1306	1567
აბრეშუმის . .	161	227	338	418	491	535



საფერავი.

სად წინასწარი მომზადების გარეშე იყენებენ. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ნართი დახვეულია იმ ზომის მასრახვეულებით, რ-თა მოთავსება შესაძლებელია მაქოში. მასრაზე დახვეული მისაქსელის ნართი რომ არ დაიშალოს, საჭიროა მისი შეორთქლება, დანესტიანება ან დაემულსივება.

ქსელი და მისაქსელი მოსამზადებელი საამქროდან გადაეცემა საქსოვ საამქროს ქსოვილის დასამზადებლად. ქსლის ნედლეული უკეთესი უნდა იყოს მისაქსელის ნედლეულზე, ვინაიდან ქსლის ძაფები ქსოვის პროცესში განიცდის მუშა ორგანოების ძლიერ ზემოქმედებას, რის შედეგად წყდება ძაფი. ძაფის წყვეტა (განსაკუთრებით ქსლისა) საქსოვი დაზგების გაჩერების ძირითადი მიზეზია. იგი აუარესებს ქსოვილის ხარისხს და ზრდის მონარჩენების რაოდენობას.

საქსოვი დაზგებიდან მოხსნილი ხამი ქსოვილი გადაეცემა საზომწუხსადებ განყ-ბას, სადაც მიმდინარეობს ქსოვილის აღრიცხვა, წუნდება, შეფუთვა, გაწმენდა და სხვ. ქსოვის ტექნოლ. პროცესი ყოველთვის ერთნაირი არ არის. მაგ., ნატურალური აბრეშუმის ქსოვილს არ სჭირდება გახამება.

ს. წ. ეწოდება აგრეთვე საქსოვი და მოსამზადებელი საამქროებისა და წუნსადები განყ-ბის ერთობლიობას.

ს. წ-ის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია. უმაქოო და მრავალრგოლიანი საქსოვი დაზგების დანერგვა და სხვ. იხ. აგრეთვე სტ. *საფეიქრო მრეწველობა*.

ლიტ.: გორდეევი ვ., ცაგარელი ნ., კაციტაძე ჯ., ქსოვა, თბ., 1966; Технология ткачества, т. 1—2, М., 1966—67.

საფენი სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა, ნამჯის, ტორფის, ნახერხის ან სხვა მასალის ფენა, რ-საც იყენებენ ცხოველისათვის რბილი, მშრალი, სუფთა და მოხერხებული დასაწოლი ადგილის მოსაწყობად. ს-ის ძირითადი თვისებებია მაღალი ტენტევადობა, ჰიგროსკოპულობა, აირის შთანთქმის უნარი, მცირე თბოგამტარობა და დიდი თბოტევადობა, სასურველი ბაქტერიციდულობა. ს. უნდა აფერხებდეს ნაკელის ლპობას. ს-ად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ხის ბურბუშელა, ლელი, ისლი, ლელქაში, ჭაობის ხუჭში თივა, ფოთლები, წიწვი, ზოგჯერ ქვიშაც. ყველა სახეობის ცხოველისათვის საუკეთესო ს-ია საშემოდგომო მარცვლეულის ნამჯა და ტორფი. გამოყენების მიხედვით განასხვავებენ ყოველდღიურ, პერიოდულ და მუდმივ (ცვლიან წელიწადში 1—2-ჯერ) ს-ს.

საფერავი, ქართული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. გავრცელებულია ძირითადად კახეთის რ-ნებში, მცირე რაოდენობითაა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, აფხაზეთში. მოჰყავთ აგრეთვე შუა აზიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირიმში და სხვ. ვაზი ძლიერმზარდია, უხვმოსავლიანი. მტევანი საშუალოზე დიდია, საშ. სიკუმსის ან თხელი. მწიფს სექტ. II ნახევრიდან, მარცვალი საშ. სისხოსია, ოვალური, მუქი ლურჯი. შაქრიანობა 20—26%. მოსავლიანობა ჰექტარზე 8—10 ტ. თელავის, ყვარლისა და გურჯაანის რ-ნებში ს-გან ამზადებენ სუფრის, სადესერტო და მაგარ წითელ ღვინოს (საფერავი, ახაშენი, ქინძმარაული, მუკუზანი, ნაფარეული და სხვ.). *რ. რამიშვილი.*

საფერისცვალო, მთა ლეჩხუმის ქედზე. სიმაღლე 2176 *მ*. აგებულია იურული პორფირიტებით. თხემთან მყინვარული კარებია. კალთები დაბაწევრებული აქვს. ქვემოთ ტყით არის შემოსილი, ზემოთ—სუბალპ. და ალპ. მდელოთი. *დ. ტაბიძე.*


საფიქვითი, მთა ალევის ქედზე. სიმაღლე 2602 *მ*. აგებულია ცარცული კირქვებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. მთის თხემი შემოსილია სუბალპ. მდელოებით, კალთები — ფართოფოთლოვანი ტყით.

საფიხვნო, საფიხვნო (ხევსურეთი), საანჯმნო (თუშეთი), ერობა (ხევი), სანახშო (რაჭა), მამაკაცთა თავშესაყრელად განკუთვნილი ნაგებობა ან ადგილი, ს-ში მყოფთ ფეხონი ერქვა, ხოლო ერთად სხდომასა და ბაასს — ფეხნობა. ს-ს ნაგებობა ხევსურეთში მხოლოდ შატილშია შემონახული. ეს არის ღია შენობა, რ-შიც დგას ქვის სკამები. ს. მთის თითქმის ყველა სოფელში იყო და მის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა მეზობლების შეხვედრა, სჯა-ბაასი, დასვენება-გართობა. აქ ზელდნენ ტყავს, გრეხდნენ თოკს, ამოასხამდნენ ქალამნებს, თლიდნენ თითისტარებს და ა. შ. ს-ში საუბარი იყო საგმირო საქმეებზე, მტერ-მოყვარეზე, ქცევის ნორმებზე, წეს-ჩვეულებებზე, აგვარებდნენ პატარ-პატარა სასოფლო საქმეებს (სათიბზე გასვლის ვადების განსაზღვრა, მწყემსობის რიგის დადგენა, დაზიანებული ხიდის შეკეთება და სხვ.). უფრო მნიშვნელოვანი საქმეები წყდებოდა საგანგებოდ დადგენილ სოფლის საყრილობო ადგილებში, რ-ის ფუნქცია და ორგანიზაცია ს-გან განსხვავდებოდა.

თ. ოჩიაური.

საფეხური მუსიკაში, ბგერათრიგის (გამის, კილოს, წყობის) ნებისმიერი ტონი (ბგერა). მუს. სკალა იყოფა ოქტავებად; თითოეული ოქტავა შედგება 7 ძირითადი (დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი) და 5 დამატებითი (ქრომატული, მაგ., დო-დიეზი, რე-ბემოლი), ბგერისაგან. XX ს. მუსიკაში ხშირად ყველა, თორმეტიც ეს ფეხური გამოიყენება როგორც ძირითადი (ბუნებრივი ქრომატიკა). არსებობს აგრეთვე ს-ის სხვა სისტემებიც — პენტატონიკა (5 ს.), მიკროქრომატიკა (24, 36 ს.) და სხვ.

საფთილავი მანქანა, მანქანა, რ-საც იყენებენ სართავ წარმოებაში *ფთილის* მისაღებად. ბოჭკოს სახეობა და ფთილის სისქე განაპირობებს ს. მ-ების *გამოსაჭიმი ხელსაწყოების* მოწყობილობის ტიპს, ნალისის, *თითისტარისა* და კოჭის ზომებს, ფთილის ფორმირების ხერხს. ფთილის მისაღებად ძაფსახვევი აუზებიდან (ნახ.) გამოსული ძაფი გარს ეკვლება მკვებავ ლილვს, შედის გამოსაჭიმ ხელსაწყოში, შემდეგ გაივლის თვალაკს, ღრუ შტოს, თითისტარზე ჩამოცმულ ნალისის თათს და კოჭაზე ეხვევა. თითისტარის ბრუნვის სიხშირეა 13,3 $წმ^{-1}$ (800 *ბრ/წთ*).



საფთილავი მანქანა. ბამბის ბოჭკოს საფთილავი მანქანა: 1—ძაფსახვევი აუზები; 2—ლენტი; 3—მკვებავი ლილვი; 4—ლენტის გაწყვეტის საკონტროლო ხელსაწყო; 5—მტვრისა და ღინღლის მოსაცილებელი სისტემა; 6—გამოსაჭიმი ხელსაწყო; 7—ნალისა; 8—კოჭა.

საფი, ქალაქი მაროკოში, ატლანტის ოკ. სანაპიროზე. საფის პროვ. ადმ. ცენტრი. 129 ათ. მკხ. (1973). სამრეწვ.-სატრანსპ. ცენტრი. ნავსადგური (გააქვთ ფოსფორიტები, სუპერფოსფატი, თევზის კონსერვები). ქიმ. კომბინატი. თევზსაკონსერვო მრეწვ. საწარმოები. ჯუთის ფ-კა. ს. დაარსდა XI ს-ში.

საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტები სსრკ-ში, ამზადებენ ეკონომისტებს სახბანკისა და ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. ს. წარმოთა საფინანსო ნაწილში სამუშაოდ 1985 სსრკ-ში იყო: ლენინგრ. ნ. ვოზნესენსკის სახ. (1930), ყაზანის ვ. კუიბიშევის სახ. (1931), საკავშ. დაუსწრებელი (1958 მოსკოვი), ტერნოპოლის (1971) ს.-მ. ი. ფ მოსკ. საფინანსო ინ-ტი (1946). სწავლება ვადა 4 წელია (მოსკ. საფინანსო ინ-ტში 5 წელი). საკავშ., მოსკ. და ლენინგრ. ინ-ტებს აქვს ასპირანტურა; მოსკ. და ლენინგრ. ინ-ტებს აქვს უფლება დ-ცისათვის მიიღოს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

საფინანსო კონტროლი, იხ. *ფინანსური კონტროლი*.

საფინანსო პოლიტიკა, იხ. *ფინანსური პოლიტიკა*.

საფინანსო სამართალი, სოციალისტური სამართლის დარგი, იმ ნორმათა ერთობლიობა, რ-ებიც არეგულირებენ სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციის, განწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ საზ. ურთიერთობებს.

აღნიშნული საზ. ურთიერთობანი წარმოიშობა ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის შემოსავლებისა და გასავლების გამიჯვნის კომპეტენციის, სახელმწ. ბიუჯეტში სავალდებულო გადასაბდელების და გადასახადების შეტანის, ფულადი თანხების გამოყენებისა და საკრედიტო სარგებლიშწორებო წესების დაცვის, კერძო საფინანსო დაგეგმვის, ბიუჯეტის საკას შესრულების, საბიუჯეტო ასიგნებათა ბანკებში გადარიცხვის, საბრუნავ საშუალებათა და მოგების განაწილების, ფულადი სახსრების სარეზერვო და საკრედიტო ფონდების შექმნის თაობაზე. მათი გაეწინებაა ცალკე ჯგუფად განპირობებული განსაზღვრული თავისებურებით. აღნიშნული ურთიერთობანი წარმოიშობა სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობის პროცესში ამ ურთიერთობებზე ერცელდება აგრეთვე სახელმწ. და ადმ. სამართლის პრინციპები და საერთო დებულებები. ხოლო იმ საფინანსო ურთიერთობებს, რ-ებიც ხელშეკრულებაზეა დაფუძნებული, სამოქალაქო სამართალი არეგულირებს. ს. ს-ის ძირითადი ინ-ტებია *საბიუჯეტო სამართალი, ფულადი კანონმდებლობა* და სხვ.; საფინანსო ურთიერთობათა ობიექტი ყოველთვის ფულია. ეს ურთიერთობები წარმოიშობა სახელმწიფოს ზეგავლენით და მისი ი ტერესებიდან გამომდინარე.

ლიტ.: Советское финансовое право, изд., М., 1974. *რ. შენგელია*

საფირონი (<ბერძნ. sappheiros < ებრ. საფირ — ლურჯი ქვა), მინერალ *კორუნდის* სახეობა. ლურჯი ან ცისფერი, რაც განპირობებულია Ti-ისა და Fe-მინარევებით. I კლასის ძვირფასი ქვა. ს-ის საბადოები ძირითადად ქვიშრობილია (სსრკ-ში — სამხრ. ურალში, ზღვარგარეთ — ტაილანდში, შრი-ლანკაში, ინდოეთში). საიუველირო მრეწველობაში იყენებენ სინთეზურ ს-საც.

„საფირონი“, ქართული ლიტერატურული მხატვრული ჟურნალი; გამოვიდა 1919 თბილისში. გამოიცა მხოლოდ ერთი ნომერი. რედ.-გამომცემლები—ს. შანშიაშვილი და გ. ლეონიძე. ჟურნალში დაბეჭდილია ნ. ლორთქიფანიძის, კ. მაყაშვილის, ს. ფაშალიშვილის, შიო მღვიმელის, გ. ლეონიძისა და დ. ერისთავის ლექსები და მოთხრობები; გ. ქიქოძის და ა. პაპავას სტატიები. და სხვ.

საფიქლე, 1. ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, ახლანდ. წალკის რ-ნის ტერიტორიაზე, საფიქლისხევის მარჯვენა მხარეს; 2. ისტ. სოფელი ქვემო ქართლში, ახლანდ. წალკის რ-ნის ტერიტორიაზე, მეორე საფიქლისხევის მარჯვენა მხარეს. ორივე სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

საფლავგმანო ხომალდი, ფლავმანი, ხომალდი, რ-ზედაც იმყოფება სარდალი ან შენაერთის მეთაური, შტაბი და მართვის საშუალებებით აღჭურვილი საფლავგმანო-სამეთაურო პუნქტი. ს. ხ. ატარებს მოცემული შენაერთისათვის მიკუთვნებულ ბაირაღს, ღამით — საფლავგმანო შუქს. ს. ხ-ებს უწოდებენ აგრეთვე ნაოსნობისა და სარეწი ფლოტილიების საუკეთესო და დიდ გემებს.

საფლოტაციო მანქანა, სასარგებლო წიაღისეულის პულპის ასარევი და ფლოტაციის პროცესში ჰაერის მისაწოდებელი მანქანა. ს. მ. სამგვარია: მექანიკური (პულპის მორევა და აერაცია სწრაფად მბრუნავი იმპელერით ხდება), პნევმატიკური (პულპის მორევა და აერაცია შეკუმშული ჰაერით ხდება) და პნევმომექანიკური (პულპის მორევა იმპელერით ხდება, აერაცია კი — შეკუმშული ჰაერით).

სსრკ-ში ფართოდ გავრცელებულია მექან. ს. მ. ამ მანქანის თითოეული კამერა 2 ნაწილისაგან შედგება. ერთ მათგანში აწრაფად მბრუნავი იმპელერი ატმოსფეროდან იწოვს ჰაერს, მეორეში კი მინერალის ამოტივტივებული მარცვლები ჩაედინება ქაფში (მინერალიზებულ ქაფს ანვეტებით აცილებენ).

საფლოტაციო რეაგენტები, მინერალური ნედლეულის ფლოტაციის პროცესში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებანი. განასხვავებენ ძირითად და დამხმარე ს. რ-ს. ძირითადი, შემკრებები ს. რ. (კოლექტორები) მინერალის მარცვლის ზედაპირზე ქმნიან ჰაერის ბუშტულების მინერალთან მიკერის ხელსაყრელ პირობებს. ასეთი ნივთიერებებია ქსანთოგენატები, ცხიმოვანი მჟავები, ამინები და სხვ.; მაქაფებელი ს. რ. ხელს უწყობენ საფლოტაციო პულპაში ჰაერის ბუშტების შეღწევა-განაწილებასა და ქაფის წარმოქმნას. ამაქაფებლად უმთავრესად იყენებენ ორგ. ზეთებს. მოდიფიკატორები (აქტივატორები და დეპრესორები) აქტივატორები აძლიერებენ შემკრები ს. რ-ის მოქმედებას, დეპრესორები კი სუსტებენ ან მთლიანად სპობენ მინერალის საფლოტაციო თვისებებს. მაგ., მაიანათი აძლიერებს სფალერიტის ფლოტაციის პროცესს, ხოლო თხევადი მინა ხელს უშლის სილიკატურ მინერალზე რეაგენტის მიკვრას.

დამხმარე ს. რ-ია რეგულატორები, ფლოკულატორები ან კოაგულანტები და ემულგატორები. რეგულატორებს იყენებენ პულპაში pH-ის მოსაწესრიგებლად, კოაგულანტები (პოლიაკრილამიდი, კირი) მოქმედებენ როგორც წყალში არეული მინერ. ნაწილაკების შემწებებლები. მათ ამარობენ პულპის შესასქელებლად. ემულგატორები (საპონი, სპირტი და სხვა ზედაპირაქტ. ნივთიერებანი) უზრუნველყოფენ რეაგენტების ემულსიების მდგრადობას.

ს. რ-ის მოქმედებას განაპირობებს მინერალის ზედაპირის ბუნებრივი შედგენილობა, საფლოტაციო გარემოს ტუტიანობა ან მჟავიანობა, პულპის ტემპერა და სხვა ფაქტორები. ს. რ-ის ხარჯი 1 ტ საფლოტაციო მადანზე რამდენიმე გ-იდან რამდენიმე კგ-მდე აღწევს. ს. რ-ის სათანადო ასორტიმენტის შერჩევა და ფლოტაციის პროცესში მიწოდების თანამიმდევრობა დამოკიდებულია გასამდიდრებელი ნედლის თვისებებზე.

საფლუსე აპარატი, ფლუსის ქვეშ ავტომატური შედუღებისათვის განკუთვნილი დანადგარის მოწყობილობა, რ-იც აწვდის ფლუსს შედუღების ზონას, გამყარებულ ნაკერს აცილებს გაუმდნარ ფლუსს და გადააქვს იგი ფლუსის საცავში. ს. ა. შედგება საფლუსე ბუნკერისაგან, ვაკუუმური შემწოვი მოწყობილობისა და ფლუსსატარისაგან. შედუღების ზონაში ფლუსი მილის მეშვეობით თვითდინებით გადადის, ხოლო ფლუსის მოცილება და საცავში დაბრუნება ხორციელდება ვაკუუმური მოწყობილობით.

საფო (Sappho), ძვ. წ. VII—VI სს. ბერძენი პოეტი ქალი. ცხოვრობდა კ. ლესბოსზე, ქ. ერესოსში. წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. წერდა ეოლიურ დიალექტზე. ალექსანდრიელმა სწავლულებმა ალკეოსთან ერთად ეოლიური მელიკის კორიფედ აღიარეს. მისი შემოქმედებიდან შემორჩენილია მცირე ფრაგმენტები, რ-თა შორის აღსანიშნავია აფროდიტესადმი მიძღვნილი ჰიმნი, ეროტიკული სიმღერები, თრენები, ეპითალამები. ისინი გამართულია სხვადასხვა სალექსო საზომით. ს-ს შემოქმედებიდან იღებს სათავეს ე. წ. *საფოს სტროფი.*

თხზ.: ლირიკა, თბ., 1977.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1950; წერეთელი გრ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ 1, ტფ., 1927.

საფონდო ბირჟა, იხ. *ბირჟა.*

საფონოვი ბორის ფეოქტისტის ძე [13 (26). VIII. 1915, სოფ. სინიავინო, პლავსკის რ-ნი, ტულის ოლქი, — 30. V. 1942], სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის მფრინავ-გამანადგურებელი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (16. IX. 1941 და 14. VI. 1942), პოდპოლკოვნიკი (1942). სკკპ წევრი 1939-იდან. წითელი არმიის რიგებში იყო 1933-იდან. 1934 დაამთავრა მფრინავთა 1-ელი სამხ. წითელდროშოვანი სკოლა. მსახურობდა იმიერპოლარეთში. დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) მეთაურობდა 72-ე საავიაციო პოლკის ესკადრილიას, 78-ე საავიაციო პოლკს, ჩრდილოეთის ფლოტის სამხ. საჰაერო ძალების მე-2 გვარდიულ წითელდროშოვან პოლკს. განახორციელა 300 საბრძოლო გაფრენა. პირადად ჩამოაგდო მტრის 22 თვითმფრინავი. დაიღუპა საჰაერო ბრძოლაში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 წითელი დროშის ორდენით და დიდი ბრიტ. ორდენით.

საფონოვი ვასილი ილიას ძე [25. I (6. II). 1852, სტანიცა იციურსკაია, თერგის ოლქი, — 27. II. 1918, კისლოვოდსკი), რუსი პიანისტი, პედაგოგი, დირიჟორი, მუს.-საზ. მოღვაწე. 1880 — 85 იყო პეტერბ. კონსერვ. 1885—1905 — მოსკ. კონსერვ. პროფესორი (1889-იდან დირექტორი); 1889—1905 რუს. მუს. საზ-ბის მოსკ. განყ-ბის სიმფ. კონცერტების მთავარი დირიჟორი; 1906—09 ფილარმონიული ორკესტრის დირიჟორი და ეროვნ. კონსერვატორიის დირექტორი ნიუ-იორკში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ გამოდიოდა უმთავრესად როგორც პიანისტ-ანსამბლისტი (ლ. აუერთან, კ. დავიდოვთან და ა. ვერჯბილოვიჩთან ერთად). დირიჟორობდა და პროპაგანდას უწევდა რუს. სიმფ. მუსიკას. მუს. პრაქტიკაში დანერგა დირიჟორობა უჯოხოდ. ს-მა შექმნა რევოლუციამდელ რუსეთში ერთ-ერთი წამყვანი პიანისტური სკოლა.

საფონოვო, ქალაქი (1952-იდან) რსფსრ სმოლენსკის ოლქში, მდ. ვოპეცის (დნეპრის აუზი) ნაპირზე. საფონოვოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, სმოლენსკიდან 102 *კმ*. 54 ათ. მცხ. (1983). იღებენ ქვანახშირს. ხელსაწყოთსაშენი, ელექტრომანქანათსაშ., ასაწყობი რკინაბეტონის, პლასტმასის ქ-ნები და სხვ. პოლიტექნიკუმი.

საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ნაგებობები, რ-ებიც გათვალისწინებულია იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ჯარის, სამართავი პუნქტებისა და სხვათა შესანიღბად და ბრძოლაში უკეთ გამოსაყენებლად. აგრეთვე ჯარის, მოსახლეობისა და ქვეყნის ზურგში განლაგებული ობიექტების დასაცავად მოწინააღმდეგის გამანადგურებელ საშუალებათაგან. ს. ნ-თა კონსტრუქციებსა და მათი აგებისა და გამოყენების ხერხებს ამუშავებს *ფორტიფიკაცია.*

საფოს სტროფი, ანტიკურ (ძვ. ბერძნ. კვანტიტატიური) ლექსთწყობაში გავრცელებული ოთხტაეპედი. შეიცავდა სამ საფოურ თერთმეტმარცვლედს (— ∪ — ∪ — ∪ ∪ — ∪ —) და ერთ ადონისურ ტაეპს (— ∪ ∪ — ∪). შემოიღო ძვ. ბერძენმა პოეტმა ქალმა *საფომ.* ლათ. წყობილსიტყვაობაში ჰორაციუსმა დააკანონა (ძვ. წ. I ს.), მანვე დაამკვიდრა ამ სტროფის პირველ სამ ტაეპში ცეზურა 5 მარცვლის შემდეგ. ქართ. ორიგინ. პოეზიაში ს. ს. არ დასტურდება.

რ. ბერიძე.



ბ. საფონოვი.



ვ. საფონოვი.

საფოსტო კავშირი, ფოსტა (გვიანდ. ლათ. posita — გაჩერება, სადგური), ქვეყნის საერთო-სახელმწიფოებრივი *კავშირგაბმულობის* სისტემის შემადგენელი ნაწილი, რ-იც რეგულარულად უზრუნველყოფს წერილობითი კორესპონდენციების, პერიოდული გამოცემების, ამანათების, ბანდეროლების, ფულადი გზავნილების მიღებას, დამუშავებას, გადაგზავნასა და ადრესატისათვის ჩაბარებას, აგრეთვე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ინფორმაციის გაცვლის საქმეში და ხელს უწყობს უცხოეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაფართოებას.


უძველესი დროიდან დამწერლობის შექმნასთან ერთად საჭირო გახდა ინფორმაციის წერილობითი სახით გადაცემა. დასაწყისში ასეთ კავშირს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, მონათმფლობელური სახელმწიფოების შექმნასთან ერთად ს. ჰ. ხდება მოწესრიგებული. ძვ. საბერძნეთში, სპარსეთში, ჩინეთში, რომის იმპერიაში არსებობდა სახელმწ. ს. ჰ., წერილობითი ცნობები იგზავნებოდა ესტაფეტის პრინციპით ქვეითი და ცხენოსანი მებრკოლების მეშვეობით. რუსეთში პირველი საფოსტო ტრაქტი მოსკოვსა და რიგას შორის გაიხსნა 1665. ეს წელი ითვლება სახელმწ. ფოსტის დაარსების თარიღად. 1843 დაწესდა წერილების გადაგზავნის ერთიანი ტარიფი (მანძილის მიუხედავად). 1848 პეტერბურგსა და მოსკოვში შემოიღეს საფოსტო ყუთები და გამოუშვეს შტემპელიანი კონვერტები. ს. ჰ-ის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია საფოსტო მარკის გამოშვება (ინგლისში — 1840, რუსეთში — 1858).

I საერთაშ. საფოსტო კონგრესზე (1874) 22 სახელმწიფომ, მ. შ. რუსეთმაც, ხელი მოაწერეს საყოველთაო საფოსტო ხელშეკრულებას (1878-იდან მსოფლიო საფოსტო კავშირი). 1878 დაიდო მსოფლიო საფოსტო კონვენცია, რ-იც არეგულირებდა წერილობითი ცნობების შემცველი კორესპონდენციების მიმოცვლას.

თბილისში პირველი საფოსტო კანტორა გაიხსნა 1805, ხოლო 1861-იდან ყოველდღიურად მოძრაობდა საფოსტო კარეტები თბილის—ვლადიკავკაზსა (ახლანდ. ქ. ორჯონიკიძე) და თბილის—ოდესას შორის.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ს. ჰ-ის მკვეთრი აღმავლობა. პირველი ხუთწლედების პერიოდში (1929—40) და განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის (1941—45) შემდეგ ჩატარდა დიდი სამუშაოები კავშირგაბმ. ქსლის განვითარების საქმეში. გადიდდა საფოსტო გადაზიდვის მოცულობა საავიაციო და საავტ. ტრანსპორტით, დაინერგა საფოსტო გზავნილებათა დამუშავების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ს. ჰ-მა დიდი სამამულო ომის პერიოდში. საველე ფოსტამ მჭიდროდ დაუკავშირა ზურგი და ფრონტი.

ფოსტის საშუალებით ხდება აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიების ნავაჭრი თანხების ინკასაცია, ამანათვაჭრობისა და კოოპამანათვაჭრობის სხვადასხვა სახის სამრეწვ. ამანათების გადაგზავნა. სულ უფრო პოპულარული ხდება



საფოსტო ტექნიკა. ნახ. 1. წერილების დამუშავების ავტომატიზებული ხაზი (გფრ): 1—გაბარიტის მიხედვით წერილების დამხარისხებელი მანქანა; 2 — საპირე—საშტემპელე მანქანა; 3—წერილების მისამართების საკოდირებელი აპარატები; 4 — წერილების შუალედური დამგროვებელი; 5—წერილების დამხარისხებელი მანქანის ამომკითხავი მოწყობილობა; 6—წერილების დამხარისხებელი ავტომატური მანქანა.



საფოსტო ტექნიკა. ნახ. 2 წერილებიანი ყუთების სატრანსპორტირებელი და მისამართის შესაბამისად ავტომატურად განმტვირთავი კონვეიერი (სსრკ).

მომსახურების ახ. ფორმები: „წიგნი ფოსტით", საფოსტო გზავნილების მიღება ბინაზე და სხვ. მრავალი კავშირგაბმ. საწარმო შემნახველი სალაროს ფუნქციებსაც ასრულებს.

ს. ჰ. საორგანიზაციო თვალსაზრისით წარმოადგენს ერთიან სისტემას, რ-იც შედგება კავშირგაბმ. საწარმოთა ქსელისა და სატრანსპ. საშუალებებისაგან. კავშირგაბმ. საწარმოს მიეკუთვნება ფოსტამტები, კავშირგაბმ. კვანძები და მათ შემადგენლობაში შემავალი კავშირგაბმ. განყ-ებები. ფოსტამტები ეწყობა რესპ. და საოლქო ცენტრებში, კვანძები — ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. განსაკუთრებული ადგილი უკავია რკინიგზისპირა ფოსტამტებს (პუდპ), ფოსტის გადაზიდვის განყ-ებებს რკინიგზაზე (ოპპ) და ავიახაზებზე (აოპპ) ფულის გზავნილებათა საკონტროლო ბიუროებს (ბკპ). დიდ ქალაქებსა და კურორტებში ფუნქციონირებს კავშირგაბმ. ავტომატიზებული პუნქტები „ფოსტა-ავტომატი". საფოსტო გზავნილებათა გადასაზიდად იყენებენ რკინიგზის, საავტ. და საავიაციო ტრანსპორტს. რკინიგზით გადაქვთ ძირითადად მძიმე საფოსტო ტვირთი (ამანათები, ჟურნალები, ბანდეროლები), ავიატრანსპორტით — უმთავრესად წერილები და გაზეთები დიდ ქ-ებს შორის. ავტოტრანსპორტით სარგებლობენ სარაიონო და საქალაქო საფოსტო მარშრუტების მომსახურებისათვის, საფოსტო ყუთებიდან წერილების ამოსაღებად, უბნებში ფოსტალიონების მისაყვანად და სხვ.

ლიტ.: შიშილაშვილი რ., საფოსტო კავშირის ორგანიზაცია და ეკსპლუატაცია, თბ., 1972; Добычина Л. Я., Организация почтовой связи, 4 изд., М., 1971. *რ. შიშილაშვილი.*

საფოსტო მარკები, საფოსტო უწყებების მიერ გამოშვებულ საფოსტო გზავნილებათა გასაგზავნად მოსაკრებელის გადახდის ნიშნები. ს. მ-ის უმრავლესობაზე მოცემულია სახელმწიფოს ან საფოსტო ადმ. დასახელება, ნომინალური ღირებულება, აგრეთვე სამახსოვრო და სხვა ხასიათის წარწერები. საფოსტო მიმოქცევის მსვლელობაში ს. მ-ზე დასვამენ შტამპს, რის შემდეგ მათი ხელმეორედ გამოყენება აღარ შეიძლება.

პირველი ს. მ. გაჩნდა დიდ ბრიტანეთსა და მის კოლონიებში (1840), შემდეგ შემოიღეს ბრაზილიაში (1843), შვეიცარიის ციურიხისა და ჟენევის კანტონებში (1843), აშშ-ში (1847), საფრანგეთში (1849) და სხვ. ქვეყნებში.

ს. მ. რუსეთში 1858 შემოიღეს. პირველი საბჭ. მარკა 1918 გამოუშვეს. იხ. აგრეთვე *ფილატელია.*

საფოსტო ტექნიკა, მოწყობილობები და სატრანსპორტო საშუალებები, რ-ებსაც იყენებენ *საფოსტო კავშირის* ძირითადი საწარმოო ოპერაციების შესასრულებლად. ს. ტ-ის საშუალებების კლასიფიკაციის საფუძველია საფოსტო ოპერაციების სახეობა. საფოსტო გზავნილებათა მიღება-გაცემის ოპერაციებისათვის სსრკ საფოსტო განყ-ებებში იყენებენ „ონეგის" სისტემის საფოსტო სალაროების მანქანებს, მათი დახმარებით აფორმებენ ფულადი გზავნილების მიღებასა და გაცემას, ამანათების, ტელეგრამების, ფასიანი წერილებისა და ბანდეროლების მიღებას და ა. შ. მანქანა გასცემს ქვითარს, აწარმოებს საოპერაციო დღიურს. ცნობები მიღებული და განაღდებული საფოსტო გზავნილებათა შესახებ ჩაიწერება პერფორირებულ ლენტაზე და *მონაცემების გადაცემის* აპარატურის საშუალებით კავშირგაბმ. არხებით გადაეცემა კონტროლისათვის ზონალურ გამოთვლითს ცენტრს.

ამანათების, წერილების, ბანდეროლების, გაზეთებისა და ჟურნალების დამუშავების პროცესების მექანიზაციისათვის იყენებენ სპეც. მანქანებს (ნიშანსადები და წერილების სარჩევი მანქანები, *საპირე-შტემპელდასასმელი მანქანა,* წერილების დასტად შესაკრავი მანქანა და სხვ.).

მსხვილ საფოსტო დამხარისხებელ ცენტრებში (სსრკ, გფრ, იაპონია, აშშ და სხვა) დანერგილია წერილების დამუშავების ავტომატიზებული ხაზები (ნახ. 1). წერილების შიგა საწარმოო ტრანსპორტირებისათვის იყენებენ კონვეიერებს (ნახ. 2).

მისამართების მიხედვით ამანათების დასახარისხებლად იყენებენ ნახევრად ავტომ. დამხარისხებელ მანქანას, რ-იც შედგება მანაწილებელი კონტეინერის, დამგროვებლისა და კლავიშებიანი პულტისაგან.

ფოსტის გადასაზიდად იყენებენ თანამედროვე ტრანსპ. ყველა სახეობას (თვითმფრინავი, გემი, მატარებელი, ავტომობილი). სსრკ-სა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ინერგება ფოსტის კონტეინერული გადაზიდვა სპეც. საფოსტო ვაგონებითა და ავტომანქანებით. 1 ვაგონით შეიძლება 45 კონტეინერის გადაზიდვა. ტვირთიანი კონტეინერის მასა 500 *კგ* შეადგენს. დიდ ქ-ებში ფოსტის დატარების სამსახურის გაუმჯობესების მიზნით იყენებენ ავტოტრანსპორტს.

ლიტ.: Носов Г. Я., Механизация предприятий почтовой связи, М., 1974; Соколов В. П., Почтообрабатывающие машины и автоматы, М., 1970. *რ. შიშილაშვილი.*

საფრანგეთ-ვიეტნამის ომები 1858—62, 1883—84, საფრანგეთის მიერ ვიეტნამის კოლონიური დამონების მიზნით წამოწყებული მტაცებლური ომები.

პირველმა ს.-ვ. ო-მა (1858—62) სათავე დაუდო ფრანგი კოლონიზატორების მიერ ვიეტნამის დაპყრობას. ნაპოლეონ III-ის მთავრობამ ამ ომში ჩაიბა ესპანეთი. სამხ. მოქმედება დაიწყო 1858 წ. 1 სექტ. საფრ.-ესპ. გაერთ. ძალებმა დაიკავეს დანანგის ციხესიმაგრე და ნავსადგური (ვიეტ. დედაქალაქ ჰიუსგან 100 *კმ* მოშორებით). 1859 წ. 18 თებ. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ფრანგებმა დაიპყრეს ქ. საიგონი (ახლანდ. ხოშიმინი), მაგრამ ქვეყნის სიღრმეში ვერ შეაღწიეს. 1860 წ. 23 მარტს საფრ.-ესპ. ჯარები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ დანანგი. 1861 თებ. ბოლოსათვის ფრანგებმა დაიკავეს ზიადინის (საიგონის) პროვინცია, 1861 აპრილში — დინტიონგის პროვინცია, 1861 დეკ-ში — ბიენჰოის პროვინცია, ქ. ბაზია და კ. პულო-კონდორი, 1862 მარტში — ვინლონგის პროვინცია. პირველი ს.-ვ. ო-ის შედეგად, რ-იც 1862 ივნისში ვიეტნამ-საფრანგეთ-ესპანეთის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა, საფრანგეთი დამკვიდრდა სამხრ. ვიეტ. 3 აღმ. პროვინციაში, სამხრ. ვიეტნამის 3 დას. პროვინცია მან 1867 შეიერთა ანექსიის წესით. ამ 6 პროვინციას ფრანგული კოლონია კოხინხინა ეწოდა

მეორე ს.-ვ. ო-ით (1883—84) დამთავრდა ფრანგი კოლონიზატორების მიერ ვიეტ. დაპყრობა. 1883 წ. 19 აგვ. ფრანგულმა საექსპედიციო კორპუსმა დაიპყრო მდ. ჰონგჰის (წითელი) დელტაში მდებარე ქალაქი ჰაიზიონგი. შემდგომ ფრანგებმა დაიკავეს მდ. ჰიუს შესართავში მდებარე თუნანის ფორტები, რ-ებიც დედაქალაქ ავანპოსტებს წარმოადგენდნენ. კოლონიზატორებს თითქმის ერთი წელი დასჭირდათ, რომ ჩრდ. ვიეტ. შუა რ-ისა და მდ. ჰონგჰის დელტის ძირითად ცენტრებს დაპატრონებოდნენ. 1884 წ. 6 ივნ. ვიეტ. სამეფო კარმა საბოლოოდ დადო საზავო ხელშეკრულება, რ-ის თანახმად, ვიეტნამი ცნობდა საფრ. პროტექტორატს, რაც არსებითად მთელი ვიეტნამის საფრ. კოლონიად გადაქცევას ნიშნავდა.

საფრანგეთი (France), საფრანგეთის რესპუბლიკა (République Française).

I. ზოგადი ცნობები

ს. —სახელმწიფო დას. ევროპაში. ჩრდით აკრავს პა-დე-კალესსა და ლა-მანშის სრუტეები (ჩრდილოეთის ზღვა), დას-ით ბისკაიის ყურე (ატლანტის ოკ.), სამხრით — ხმელთაშუა ზღვა. აღმ-ით ესაზღვრება ბელგია, ლუქსემბურგი, გფრ, შვეიცარია, იტალია, მონაკო, სამხრ-ით ესპანეთი და ანდორა. ფართ. 551 ათ. კმ (კ. კორსიკისა და წვრილი კ-ების ჩათვლით; I ადგილი დას. ევროპაში). მოსახლ. 54,7 მლნ. კაცი (1984). დედაქალაქი — პარიზი. ოფიც. ენა — ფრანგული. ეროვნ. დღესასწაულია 14 ივლ. — ბასტილიის აღების დღე (1789). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია ფრანკი. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით (1985, იანვ.) 100 ფრანგული ფრანკი = 9,04 მანეთს.

ადმინისტრაციულად ს. იყოფა 95 დეპარტამენტად, რ-ებიც შექმნილია 37 ისტორიულის ტერიტორიაზე. მეტროპოლიის დეპარტამენტების გარდა ს-ის შემადგენლობაში შედის ზღვისიქითა დეპარტამენტები (გვადელუპა, საფრანგეთის გვიანა, მარტინიკა, რეიუნიონი, სენ-პიერი და მიკელონი) და ზღვისიქითა ტერიტორიები (ახალი კალედონია, საფრანგეთის პოლინეზია, უოლისი და ფუტუნა). 1976-იდან „ტერიტორიული ერთეულის" სტატუსი აქვს კ. მაიოტას (კომორის კ-ები).

II. სახელმწიფო წესწყობილება

ს. რესპუბლიკაა. მოქმედებს რეფერენდუმით მოწონებული 1958 კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს—ეროვნულ კრებას (მოსახლ. ირჩევს პირდაპირი კენჭისყრით 5 წლის ვადით) და სენატს (ირჩევენ არაპირდაპირი კენჭისყრით 9 წლის ვადით). სახელმწიფოს მეთაური — პრეზიდენტი, რ-საც მოსახლ. ირჩევს 7 წლით პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით, აბსოლ. ხმის უმრავლესობით. თუ I ტურში პრეზიდენტობის კანდიდატს ხმის უმრავლესობას არ მიიღებს, მაშინ ჩატარდება II ტური.

პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილება აქვს: ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევრებს (მინისტრებს), უფლება აქვს დაითხოვოს ეროვნ. კრება და დანიშნოს ახ. არჩევნები; არის უმაღლესი მთავარსარდალი, აქვს შეწყალების უფლება და სხვ. ა მასთ. ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას).

1958 კონსტ. საფუძველზე შეიქმნა კონსტ. საბჭო, რ-იც კონტროლს უწევს ქვეყანაში კონსტ. დებულებათა განხორციელებას, თვალყურს ადევნებს პრეზიდენტის, დეპუტატებისა და სენატორების არჩევნებს. კონსტ. საბჭოში შედის 9 წევრი, რ-ებსაც 9 წლით ირჩევენ, და ყველ ყოფილი პრეზიდენტი მუდმივად. კონსტ. საბჭოს შემადგენლობა სამ წელიწადზე ერთხელ იცვლება ერთი მესამედით.

დეცენტრალიზაციის კანონის თანახმად (1982) დეპარტამენტებისა და კომუნებთ გვერდით შეიქმნა ახ. ადმ.-ტერ. ერთეული— რეგიონული ოლქები თავიანთი თვითმმარ

ოველობის ორგანოებით, რ-თაც ირჩევს ხოსახლეობა საყოველთაო არჩევნების საჯუძველზე. ამაგე კანონით გაფართოვდა ადგილ. თვითგე ხელისუფლების სხვა ადგილ. ორანოების — დეპარტამენტების გენ. საბჭოებისა და კომუნების მუნიციპალიტეტების ფლებები და უფლებამოსილებანი. კანონი აღმასრ. ხელისუფლებას ანიჭებს გენ. აბჭოების თავ-რეებს ოლქებსა და დეპარჯამენტებში. იზღუდება ცენტრ. ხელისუფუების წარმომადგენლების ე. წ. „რესპუუიკის კომისრების" (ადრე პრეფექტეის) ძალაუფლება.

დეპარტამენტების სასამართლო სისტეს შედგება დაბალი ინსტანციისა და მეორე (დიდი) ინსტანციის სასამართლოებიაგან. არის აგრეთვე გამასწორებელი სააამართლოები, რ-ებიც განიხილავენ საქმეებს. ამ სასამართლოების სააპელაციო ინსტანციაა სააპელაციო სასამართლო, თიოეულ დეპარტამენტში სისხლის სამართ. აქმეს განიხილავს ასიზების სასამართლო. მაღლესი სასამართლო ინსტანციაა საკაციო სასამართლო. არსებობს ადმ. იუსდიცია, რ-ის უმაღლეს ორგანოს წარმოადენს სახელმწ. საბჭო.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — ხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

ს-ის დიდი ნაწილი მდებარეობს ფართოკოთლოვანი ტყის ზონაში, უკიდურესი ამხრ. ნაწილი — ხმელთაშუა ზღვის სუბროპ. ზონაში. ზღვის ნაპირი ძირითადად ბაბალია, აკუმულაციური; ლა-მანშისა და ა-დე-კალეს სრუტეების ნაპირი — აბრაიული, კოტანტენისა და ბრეტანის .-კ-ებისა — რიასული ტიპისა. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ლიონის ყურის აღმ-ით ლდოვანია (საფრ. რივიერა). მნიშვნელოანი ყურეებია ბისკაიის, სენ-მალოს, ლიონის.

ს-ის ტერიტ. დაახლ. 2/3 ვაკეს უჭირავს; დიდესი ვაკეა ჩრდ-ით მდებარე პარიის აუზი. ბისკაიის ყურის გასწვრივ გადაიმულია *გარონის დაბლობი*, რ-იც ჩრდ.-ას-ით გადადის არმორიკის მაღლობში. რდ.-აღმ-ით და აღმ-ით არდენებისა და ოგეზების საშ. სიმაღლის მთებია. სამხრ. აწილში მდებარეობს *საფრანგეთის ცენრალური მასივი*, რ-ის უმაღლესი ნაწიია ოვერნი. საფრ. ცენტრ. მასივსა და ლპებს შორის მოქცეულია *რონის* დაბლობი, რ-იც სამხრ-ით გადადის ლანგედოკის აბლობში. ს-ის ტერიტორიაში შედის ემო რაინის დაბლობის დას. მცირე აწილი. სამხრ.-აღმ-ით გადაჭიმულია ასავლეთი ალპები — საბოიის, გრაის, ოტისა და ზღვისპირა ალპების მაღალი რისტ. ქედები (მთა მონბლანი, 4807 *მ*; -ის და დას. ევრ. უმაღლესი წერტილი). ას. ალპებს დას-ით ესაზღვრება წინაალების საშ. სიმაღლის დანაწევრებული კირული ქედები, რ-თა ჩრდ. გაგრძელებაა *ურის* მთები. სამხრ.-დას. ნაწილში აღართულია *პირენეები*, სიმაღლე 3298 -მდე (მთა ვინმალი). კ. კორსიკაზე ჭარობს საშ. სიმატლის მთები. მაქს. სიმაღლე 2710 *მ* (მთა მონ-სენტო). სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება რკინის ადანი, ბოქსიტი, კალიუმის მარილები, უნებრივი აირი, ქვანახშირი.

ჰავა უმთავრესად ზომიერია. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, რონის დაბლობის ამხრ. ნაწილსა და კორსიკაზე — ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული. ს-ის აღმ. და ჩრდ.-აღმ. ნაწილში იანვ. და თებ. საშ. ემპ-რაა 1—3°C, დას-ით და სამხრ.-დასით 5—7°C, სამხრ. ნაწილში 8 — 10°C. რდ-ით ივლ. და აგვ. საშ. ტემპ-რაა 16—8°C, სამხრ.-დას-ით 20 — 22 C, სამხრით 23—24°C. ნალექები აღმოსავლეთისა და ოგეზების დას. კალთებზე და პირენეების ას. რ-ნებში 1500 — 2000 *მმ* წელიწადში, ბრეტანისა და კოტანტენის ნ.-კ-ებზე და გარონის დაბლობის დას. ნაწილში — 800—1200 *მმ*, ტერიტ. დანარჩენ ნაწილში — 500—600 *მმ*.

დიდი მდ-ებია ლუარა, რონა, სენა, გარონა. აღმ. ნაწილში მდ. რაინის შუაწელი შემოდის. მდ-ები სანაოსნოა, ბევრი მათგანი შეერთებულია არხებით. ს-ის ტერიტორიაზე მდებარეობს ჟენევის ტბის სამხრ. ნაწილი.

გაბატონებულია ტყის ყომრალი ნიადაგი. ჩრდ.-დას. ნაწილში — კორდიან-ეწერი, იურის მთებსა და საფრ. ცენტრ. მასივის სამხრ. ნაწილში — კორდიან-ეწერი და ნეშომპალა-კარბონატული, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რ-ნებში—წითელმიწა ნიადაგები.

ს-ის ტერიტ. 20% ტყით არის დაფარული. ჭარბობს მეორეული ტყე და ხელოვნური ნარგავები. ჩრდ. ნაწილში არის წიფლის, მუხისა და რცხილის ტყეები, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში — გარიგისა და მაკვისის რაყები. მთის კალთები 1600—1900 *მ* სიმაღლემდე შემოსილია ფართოფოთლოვანი და წიწვიანი ტყით. უფრო ზევით სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

ტყეში ბინადრობს გარეული კატა, მელა, მაჩვი, კეთილშობილი ირემი, შველი, ირემლაღი, გარეული ღორი, ციყვი, კურდღელი; მთაში — არჩვი, გარეთხა, ალპ. ზაზუნა. ბევრია ფრინველი; მდ-ები და სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

შექმნილია ნაკრძალები და ეროვნ. პარკები.

ლიტ.: Мартонн Э., Физическая география Франции, пер. с франц., М., 1950.

IV. მოსახლეობა

ს-ის ეროვნ. შემადგენლობა შედარებით ერთფეროვანია. მოსახლ. 90% ფრანგია. ეროვნ. უმცირესობას ეკუთვნიან: აღმ-ით — ელზასელები და ლოთარინგიელები, ჩრდ.-დას-ით — ბრეტონელები, ჩრდ.-აღმით — ფლამანდელები, სამხრ.-დას-ით — კატალონიელები და ბასკები; კ. კორსიკაზე — კორსიკელები. ქ-ებში ცხოვრობენ ებრაელები, აგრეთვე იტალიელები, პორტუგალიელები, ესპანელები, პოლონელები, ალჟირელები, მაროკოელები. რელიგიით უმრავლესობა კათოლიკეა, არიან პროტესტანტებიც (ძირითადად კალვინისტები).

მოსახლ. ბუნებრივი მატება დაბალია. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. (22,9 მლნ. კაცი, 1980) 8,2% დასაქმებულია სოფ. და სატყეო მეურნეობაში, 33,1% — მრეწველობასა და მშენებლობაში, მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 99 კაცი 1 *კმ*²-ზე (1984). სიმჭიდროვე ყველაზე მაღალია ინდუსტრ.-ურბანიზებულ ზონებში (დაახლ. 300 კაცი 1 *კმ*²-ზე), აგრეთვე დიდი მდ-ების ხეობებსა და ზღვის სანაპიროზე, ყველაზე დაბალი (20 კაცზე ნაკლები 1 *კმ*²-ზე) — მთაში და ნაკლებნაყოფიერი ნიადაგების რ-ნებში. მოსახლ. დაახლ. 73% ქალაქში ცხოვრობს. უდიდესი ქალაქია პარიზი (დაახლ. 2,2 მლნ. მცხ., დიდ პარიზში — დაახლ. 10 მლნ., 1983). დიდი ქ-ებია ლიონი, მარსელი, ლილი, ბორდო, ნანტი, ნანსი, მეცი, ტულუზა, სტრასბური. უდიდესი აგლომერაციებია პარიზი, ლიონი, ლილი, მარსელი, კოტ-დ'აზიური (ნიცა), ბორდო.

V. ისტორიული ნარკვევი

თანამედროვე ს-ის ტერიტორიაზე დადასტურებულია *პალეოლითისა* და *მეზოლითის* კულტურების არსებობა. ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანიდან შემორჩა *მეგალითები*. ძვ. წ. I ათასწლეულში ს-ის ტერიტორიაზე დასახლდნენ *კელტები* (რომაელები მათ *გალებს* უწოდებდნენ, ქვეყანას კი —გალიას). სამხრ.-დას-ში უმთავრესად *იბერები* ცხოვრობდნენ. ძვ. წ. VI ს-ში ბერძნებმა დააარსეს კოლონიები (მ. შ. მასალია, ახლანდ. მარსელი). ძვ. წ. II ს. დასასრ. — I ს. შუა წლებში გალები რომაელებმა დაიმორჩილეს და დაიწყო მათი მძლავრი რომანიზაციის პროცესი, დამკვიდრდა წარმოების მონათმფლობელური წესი, განვითარდა *კოლონატი*. დაიწყო ავჯანყებები რომაელთა წინააღმდეგ. II—IV სს-ში გავრცელდა ქრისტიანობა, კელტური ენა თანდათან ლათინურმა შეცვალა. V ს. დამლევს — IX ს. შუა წლებში ს-ის მთელი ტერიტ. *ფრანკთა სახელმწიფოში* შედიოდა. VII ს-ში გამოცალკევდა და ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა *ნოისტრია*, *ბურგუნდია* და *აკვიტანია*. ფრანკები თანდათან შეერწყნენ გალებს და რომაელებს; მონათმფლობელობა ფეოდალიზმით შეიცვალა. აღმოცენდა დამოკიდებულების მძიმე ფორმა — სერვაჟი (იხ. *სერვი*). *კაროლინგთა* იმპერიის დაყოფის (843) შემდეგ დას-ში წარმოიქმნა ფრანკთა დამოუკიდებელი სამეფო. X ს-ში ქვეყანას ს. ეწოდა. 987 გამეფდა „საფრანგეთის დიდი პერცოგი" *ჰუგო კაპეტი*. *კაპეტინგების* გამგებლობის დროს (987—1328) გაძლიერდა სამეფო ხელისუფლება, რ-იც წერილ და საშ. ფეოდალებსა და ქ-ებს ეყრდნობოდა. *ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა* ხელი შეუწყო აღმოსავლეთთან უშუალო სავაჭრო კავშირის დამყარებას. XII—XIII სს-ში მეფის ძალაუფლების განმტკიცება შეაფერხა კაპეტინგების ბრძოლამ *პლანტაგენეტებთან*. 1302 პირველად მოიწვიეს *გენერალური შტატები*, ჩამოყალიბდა წოდებრივი მონარქია. XIV—XV სს-ში, ფეოდ. ექსპლუატაციის გაძლიერებასა და ინგლისთან *ასწლიან ომს* (1337—1453) დიდი სახ. ავჯანყებები მოჰყვა (*პარიზის აჯანყება 1357—58*, *ჟაკერია* და სხვ.). ს-ის გამარჯვება ამ ომში განაპირობა *ჟანა დ'არკის* მეთაურობით მებრძოლი ფრანგი ხალხის გმირობამ.

XV ს. II ნახევარში დაიწყო ს-ის ეკონ. აღდგენა, სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. ლუი XI-ის დროს ძირითადად დასრულდა ს-ის მიწების გაერთიანება. შეიქმნა საფრ. ეროვნ. ცენტრალიზებული ფეოდ. (XV ს. დასასრ.) და აბსოლ. (XVI ს. დასაწყ.) მონარქიის ჩამოყალიბების პირობები. აბსოლუტიზმი ს-ში განსაკუთრებით განმტკიცდა *რელიგიური ომების* (1562—98) (იხ. *ნანტის ედიქტი 1598*) დამთავრების შემდეგ, *ანრი IV-ის*, *ლუი XIII-ისა* და *ლუი XIV-ის* გამგებლობის დროს. XV—XVI სს-ში მოხდა დიდი სახ. ავჯანყებები. ს-ის მეფეები ებრძოდნენ *ჰაბსბურგებს* დას. ევროპაში ტერიტორიებისა და პოლიტ. გავლენისათვის (იხ. *იტალიური ომები 1494—1559*, *ოცდაათწლიანი ომი 1618—48* და სხვ.). XVII ს-ში ფრანგმა კოლონიზატორებმა ფეხი მოიკიდეს ამერიკაში (კანადა, ესტინდოეთი) და ინდოეთის ერთ ნაწილში.

XVII ს. II ნახევარში ს. დას. ევრ. უძლიერეს ფეოდ.-აბსოლუტისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. მაგრამ უკვე ლუი XV-ის (1715—74), გამგებლობის დროს გამოჟღავნდა აბსოლუტიზმის დაცემის ნიშნები, რაც ფეოდ. წყობილების დაშლის შედეგი იყო. 70-იანი წლებიდან გაძლიერდა გლეხობისა და ქალაქთა ღარიბობის მღელვარება, მზარდი ბურჟ. ოპოზიცია, გაღრმავდა ფინანს. კრიზისი. სავაჭრო კოლონ. ჰეგემონობა ახალგაზრდა კაპიტალ. სახელმწიფოს — ინგლ.-ხელში გადავიდა.

ესპანური მემკვიდრეობისათვის ომისა (1701—14) და განსაკუთრებით *შვიდწლიანი ომის* (1757—63) შემდეგ ს. იძულებული შეიქნა თითქმის მთელი თავისი კოლონიები ჩრდ. ამერიკასა (კანადა და სხვ.) და ინდოეთში ინგლისისათვის დაეთმო. ს-ში რევ. ვითარება იქმნებოდა. *ლუი XVI-ის* ფინანსთა გენ.- კონტროლიორის ა. რ. ჟ. *ტიურგოს* ცდა ბურჟ. ხასიათის ზოგიერთი რეფორმის გატარებისა პრივილეგი-



საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

საფრანგეთი

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 154
II. სახელმწიფო წესწყობილება 154
III. ბუნება 155
IV. მოსახლეობა . . 155
V. ისტორიული ნარკვევი 155
VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები 158
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი . 158
VIII. შეიარაღებული ძალები 160
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 160
X. განათლება სამეცნიერო და კულტურულსაგანმანათლებლო დაწესებულებანი . .160
XI ფილოსოფია . . .160
XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია 161
XIII. ლიტერატურა . .161
XIV. სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა 162
XV. მუსიკა 163
XVI. ბალეტი 164
XVII. დრამატული თეატრი 164
XVIII. კინო. 165

რებული წოდებების წინააღმდეგობას წა-აწყდა. 70-იან წწ. დასასრ. მოუსავლიანობამ, შიმშილმა, უმუშევრობის ზრდამ და მოსახლ. გაღატაკებამ სავაჭრო-სამრეწვ. კრიზისი გამოიწვია. 1789 გენ. შტატების არჩევნებმა გააძლიერა ფრანგი ხალხის პოლიტ. აქტივობა. მესამე წოდების დეპუტატებმა 1789 წ. 17 ივნ. თავი ეროვნ კრებად გამოაცხადეს, ხოლო 9 ივლ. — დამფუძნებელ კრებად. პარიზში ძლევამოსილი სახ აჯანყებებით (*ბასტილიის* აღება 1789 წ. 14 ივლ.) დაიწყო *საფრანგეთის დიდი რევოლუცია* (1789—94), მოისპო ფეოდ.-აბსოლუტისტური ურთიერთობა, დამკვიდრდა ბურჟ. საწარმოო ურთიერთობა (იხ. *იაკობინელთა დიქტატურა, რობესპიერი, დანტონი, მარატი*). კონტრრევ. თერმიდორული კონვენტის (იხ. *თერმიდორული გადატრიალება*) და დირექტორიის (1795—99) რეჟიმების შემდეგ ბურჟუაზიამ ნაპოლეონ ბონაპარტის (იხ. *ნაპოლეონ I*) სამხ. დიქტატურა დაამყარა — თავდაპირველად *კონსულობის*, ხოლო 1804-იდან იმპერიის ფორმით (ე. წ. პირველი იმპერია). ნაპოლეონის გამგებლობის დროს ს. მრავალრიცხოვან დაპყრობით ომს ეწეოდა (იხ. *ნაპოლეონის ომები*), რ-თა შედეგადაც ს-ის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ევროპაში შეიქმნა მთელი რიგი ს-ზე მთლიანად დამოკიდებული სახელმწიფოები. მათ სათავეში იდგნენ ნაპოლეონ I-ის ნათესავები ან მის მიერვე დაყენებული პირები. მიუხედავად ამისა, ს-ის ბურჟ. ცდა ამ ომებით დაემკვიდრებინათ თავისი ჰეგემონობა ევროპაში ჩაიფუშა. მთავარი როლი ნაპოლეონის იმპერიის განადგურებაში, რამაც დააჩქარა ბონაპარტისტული დიქტატურის დამხობა, რუსეთმა ითამაშა (იხ. *სამამულო ომი 1812*). 1814 და მეორედ 1815 „*ასი დღის*" შემდეგ, ე. წ. რესტავრაციის პერიოდში, *ბურბონებმა* (*ლუი XVIII*, შემდეგ *შარლ X*) დროებით შეძლეს აღედგინათ მსხვილი მიწათმფლობელი არისტოკრ. ბატონობა. ქვეყანაში დაიწყო თავადაზნაურულ-კლერ. რეაქციის თვითნებური მოქმედება. ბურბონების დინასტია დაამხო ბურჟ. *იელისის რევოლუციამ* (1830), მეფედ გამოაცხადეს ბურჟ. წრეებთან დაახლოებული ჰერცოგი *ლუი-ფილიპე ორლეანელი*. ივლ. მონარქიის (1830 — 48) ხელისუფლების სათავეში მთელი ბურჟუაზია კი არ იდგა, არამედ მხოლოდ ფინანს. არისტოკრატია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამრეწვ. რევ. მუხრუჭდებოდა, კაპიტალ. ურთიერთობა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. კაპიტალ. ექსპლუატაციის გაძლიერებამ კაპიტალ. წინააღმდეგობათა გამოვლინებამ შექმნა საფუძველი სოციალ. მოძღვრებათა შესაქმნელად (იხ. *სენ-სიმონი, ფურიე*).

ლიონის აჯანყებები 1831 და 1834 მუშათა კლასის პირველი შეიარაღებული გამოსვლები იყო ბურჟ. წინააღმდეგ. 40-იან წლებში გამოვიდნენ წვრილბურჟ. უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგები ლ. ბლანი, პ. უ. *პრუდონი*. გაძლიერდა ბურჟ.-რესპ. მოძრაობა. *თებერვლის რევოლუციის* (1848) შედეგად რ-იც ძირითადად მუშებმა მოაწყვეს, ს-ში დამყარდა ბურჟ. რესპუბლიკა (*მეორე რესპუბლიკა 1848—52*). ამ რევ. კულმინაცია იყო პარიზის პროლეტარიატის ივნისის აჯანყება 1848, რ-ის დაუნდობელი სისასტიკით ჩახშობის შემდეგ დაიწყო რევ. დაქვეითება. ბურჟ. რესპუბლიკელები დათმობებზე წავიდნენ, რაც აისახა მეორე რესპ. კონსტიტუციაში. 1848 დეკ-ში რესპ. პრეზიდენტად აირჩიეს ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (იხ. *ნაპოლეონ III*). 1849 მაისში საკანონმდებლო კრების არჩევნებში გაიმარჯვა რეაქციულმა მონარქისტულმა დაჯგუფებამ — „წესრიგის პარტიამ" (ლეგიტიმისტები, ორლეანისტები, ბონაპარტისტები). 1849 ივნისში წვრილბურჟ. დაჯგუფებამ, რ-საც ა. ო. ლედრიუ-როლენი მეთაურობდა, ამაოდ სცადა წინააღმდეგობა გაეწია რეაქციისათვის 1851 წ. 2 დეკ. სახელმწ გადატრიალება მოხდა და ლუი ნაპოლეონ ბონაპარტის სამხ.-ბურჟ. დიქტატურა დამყარდა. 1852 ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი იმპერატორად გამოაცხადეს ე. წ მეორე იმპერიამ (1852—70). რ-იც ცდილობდა შეექმნა ზეკლასობრივი მმართველობის ილუზია (იხ. *ბონაპარტიზმი*), მოსპო რესპუბლიკის ყველა დემოკრ. მონაპოვარი, მთელი რიგი საგარეო-პოლიტ. დამარცხების შემდეგ მეორე იმპერიას ბოლო მოულო *სექტემბრის რევოლუციამ* (1870), რ-იც მოხდა *საფრანგეთ-პრუსიის ომის 1870—71* მსვლელობის დროს. ბურჟ.-რესპ. დაჯგუფების დროებითმა მთავრობამ გენ. ლ. ჟ. ტროშიუს ხელმძღვანელობით (თავი გამოაცხადა „ეროვნული თავდაცვის" მთავრობად) ფაქტობრივად კაპიტულანტური პოლიტ კურსი აირჩია პრუსიასთან დაზავების (1871 იანვ.) პირობები ძალზე მძიმე იყო. ეროვნ. ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებად პარიზის მუშები გამოვიდნენ მათ შექმნეს *ეროვნული გვარდია* და მზად იყვნენ დაეცვათ ალყაშემორტყმული პარიზი. 1871 თებ-ში ეროვნ. კრების არჩევნებში (წარიმართა კაპიტულანტ-რეაქციონერების მეთაურობით) უმრავლესობა მონარქისტებმა მოიპოვეს. მთავრობას სათავეში ა. *ტიერი* ჩაუდგა. 1871 წ. 18 მარტს ღამით მთავრობამ სცადა პარიზის მუშური კვარტალების განაიარაღება მაგრამ სახ. აჯანყებამ გაიმარჯვა. 1871 წ. 18 მარტს დაემხო ბურჟ. ბატონობა და ისტორიაში პირველად ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადავიდა (იხ. *პარიზის კომუნა 1871*). მთავრობა ვერსალში გაიქცა. 10 მაისს ტიერის მთავრობამ ხელი მოაწერა დამამცირებელ *ფრანკფურტის ზავს* (1871). 21 მაისს ვერსალელები პარიზში შევიდნენ. კომუნარების გმირული საბარიკადო ბრძოლები 28 მაისამდე გრძელდებოდა. ეროვნ. კრებამ დამფუძნებელი კრების უფლებები მიითვისა და რესპუბლიკის პრეზიდენტად ა. ტიერი აირჩია. ეს იყო მონარქისტული დაწესებულებების რესპუბლიკა (ანუ რესპუბლიკა რესპუბლიკელების გარეშე). 1875 ეროვნ. კრებამ მიიღო *მესამე რესპუბლიკის* (1870—1940) კონსტიტუცია. 1876 არჩევნებში ბურჟ. რესპუბლიკელებმა დეპუტატთა პალატაში უმრავლესობა მოიპოვეს. 1877 მარცხით დამთავრდა მონარქისტული გადატრიალების ცდა. 80—90-იან წლებში ს-ის ბურჟუაზიამ მკვეთრად გააქტიურა კოლონ. დაპყრობების პოლიტიკა (ტუნისის მიტაცება 1881, დას. და ეკვატორული აფრ. უდიდესი ტერიტორიების ხელში ჩაგდება, ინდოჩინ. უმეტესი ნაწილის 1882—85 და მადაგასკარის დაპყრობის დამთავრება). ს-ის კოლონ. იმპერია თავისი მასშტაბებითა და ეკონ. მნიშვნელობით მხოლოდ ინგლ. კოლონ. იმპერიას ჩამოუვარდებოდა. ს-ის იმპერიალიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი XIX ს. დამლევიდან მისი მევახშური ხასიათი იყო. ს-ის მუშათა და სოციალ. მოძრაობის განვითარების ახ. ეტაპს საფუძველი ჩაუყარა მარქსიზმის იდეების სისტემატურმა პროპაგანდამ (*ჟ. გედი* და პ. *ლაფარგი*) და 1880 მუშათა პარტიის (გედისტები) შექმნამ, რ-იც ძირითადად მარქსიზმის პლატფორმაზე იდგა. მიუხედავად ამისა, მუშათა მოძრაობაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ერთის მხრივ, *ანარქიზმისა* და *ანარქიზმ-სინდიკალიზმის* და, მეორეს მხრივ, *ოპორტუნიზმის* (იხ. *პოსიბილისტები, მილიერანი*) გავლენა. რეაქციასთან წარმატებულ ბრძოლაში გაკაჟებულმა მუშათა კლასმა 1905 გაერთ. სოციალ. პარტია (გსპ) შექმნა. მასში გაერთიანდნენ ს-ის სოციალ. პარტია (შეიქმნა 1901, რშიც შედიოდნენ გედისტები და ბლანკისტები, ეკავა კლასობრივი ბრძოლის პლატფორმა) და ფრანგ. სოციალ. პარტია ჟ. ჟორესის მეთაურობით (შეიქმნა 1902 რეფორმისტული პარტია). გსპ-ში უმეტ სობა ჟორესისტებმა მოიპოვეს.

ს-ის საგარეო პოლიტიკაში მთავა როლს თამაშობდა საფრ.-გერმ. წინააღმდე გობანი. 1893 გაფორმდა საფრანგეთ-რუ სეთის კავშირი, რ-იც ინგლ.-ს-ის 190 შეთანხმებასთან ერთად მნიშვნელოვან რგოლი იყო *ანტანტის* შექმნაში ს. მონა წილეობდა *პირველ მსოფლიო ომში* (1914—18), რ-იც ს-ის იმპერიალისტებისა თვის სასარგებლო *ვერსალის საზავო ხელ შეკრულებით* (1919) დამთავრდა. ს-ის იმ პერიალ. წრეები მონაწილეობდნენ ინტერ ვენციაში საბჭ. რესპ. წინააღმდეგ. ამავ დროს განაგრძობდნენ *პარიზის საზავო კონფერენციაზე* (1919—20) დაწყებულ ბრძოლას ევროპაში ჰეგემონობისათვის რაც ინგლ და აშშ-ის წინააღმდეგობას აწყდებოდა ამ ბრძოლამ უკიდურესად მწვა ვე ხასიათი მიიღო გერმ. საკითხთან დაკავ შირებით (რეპარაციების საკითხი, რურის ოკუპაცია 1923 და სხვ.) და ს-ის დამარ ცხებით დამთავრდა (*დაუესის გეგმის 192* შილება, *ლოკარნოს ხელშეკრულებები 1925*). ომის წლებში სოც წინააღმდეგო ბების მკვეთრი გამწვავებისა და დიდ ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით ს-ში დაი წყო რევ. მოძრაობის აღმავლობა [ს-ის პროლეტარიატის მასობრივი გამოსვლები 1919 გაზაფხულზე, რკინიგზელთა საყო ველთაო გაფიცვა 1920 მაისში, *საფრანგე თის კომუნისტური პარტიის* (სკპ) შექმნ 1920 და სხვ.]. 1924 ოქტ. რადიკალ ე *ერიოს* მთავრობამ დიპლ. ურთიერთობ დაამყარა სსრკ-თან. 1932 ნოემბ. ხელ მოაწერეს სსრკ-ს-ის თავდაუსხმელობი პაქტს.

30-იან წლებში ს. მსოფლიო ეკონ კრიზისმა მოიცვა. ს-ის უკიდურესი რეაქ ციული ძალები, რ-ებიც კრიზისიდან დ მზარდი საგარეო და საშინაო სიძნელეები დან გამოსავალს ქვეყნის ფაშისტურ სა წყისებზე გადაყვანაში ხედავდნენ, 193 დამდეგს შეეცადნენ ფაშისტური გადატრია ლების მოწყობას. მაგრამ ს-ის მუშათ კლასმა სკპ-ის ხელმძღვანელობით რეაქ ციის ეს გეგმა ჩაფუშა. 1934 ივლისში ხელ მოაწერეს ერთიანი მოქმედების პაქტს სკპ სა და სოციალ. პარტიას შორის ერთიან მუშათა ფრონტის შექმნამ საფუძველ ჩაუყარა 1935 *სახალხო ფრონტის* (მთავარ პარტიები — კომუნისტური, სოციალ. რადი კალური) შექმნას. გერმ. მზარდი აგ რესიულობის ვითარებაში, ხალხთა მა სების ზემოქმედებით ს-ის მთავრობა 1935 წ. 2 მაისს ხელი მოაწერა სსრკ-ს-ი ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას 1936 ივნისში შეიქმნა სახ. ფრონტის მთავ რობა. განხორციელდა მთელი რიგი ღო ნისძიებები მშრომელთა ცხოვრების პი რობების გასაუმჯობესებლად. 1938 დამდე გისათვის რეაქციის ძალებმა შეძლეს ძირ გამოეთხარათ სახ. ფრონტისათვის და შე ექმნათ მთავრობა, რ-მაც გააუქმა სახ ფრონტის შემწეობით მიღწეული სოც. მო ნაპოვარი, ფაქტობრივად დაარღვია სსრკ ს-ის ხელშეკრულება (1935) და ჰიტლერულ გერმანიასთან გარიგების პოლიტიკით ხელ შეუწყო *მეორე მსოფლიო ომის* (1939 - 45) გაჩაღებას (იხ. *მიუნხენის შეთანხმება 1938, მოსკოვის მოლაპარაკება 1939*) 1939 წ. 3 სექტ. პოლონეფზე ჰიტლერულ გერმ. თავდასხმის შემდეგ ს-მა გერმანია ომი გამოუცხადა. მაგრამ ს-ის სარდლობა არაფერი არ გააკეთა პოლ. დასახმარებ ლად, ს-ის ჯარი პასიურად იდგა „*მაჟინო ხაზზე*" (ე. წ. „საკვირველი ომი"). ამავ დროს თვით ს-ში რეაქციონერმა მმარ თველებმა სასტიკად შეუტიეს დემოკრ. ძა ლებს. 1939 წ. 26 სექტ. სკპ აკრძალეს დაიწყეს კომუნისტ-დეპუტატების დაპატიმ რება, დემოკრ. ორგანიზაციების დარ ბევა. ს-ის მმართველი წრეები საექსპედი ციო კორპუსს ამზადებდნენ ფინ.-დასახმა რებლად *საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში*

1939—40). გერმ. ფაშისტთა ჯარები 1940 აისში ს-ის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და არიზი უბრძოლველად დაიკავეს. იმავე ლის 22 ივნ. ა. ფ. პეტენის მთავრობის არმომადგენლებმა მიიღეს კაპიტულაციის ირობები (იხ. *კომპიენის დაზავება 1940*). ფაშისტური გერმ. ჯარებმა დროებით დაიყრეს ს-ის ტერიტ. 2/3, არაოკუპირებულ ონაში კი შეიქმნა მარიონეტული, პრო-ფაშისტური „ვიშის" მთავრობა, რ-საც ათავეში ედგნენ პეტენი და *ლავალი*. 942 წლიდან. გერმ. და იტალ. ჯარებმა ეს ერიტორიაც დაიკავეს. ფაშისტური ოკუ-აციის დასაწყისშივე დაიწყო სახ. *წინააღმ-ეგობის მოძრაობა*. 1940 წ. 10 ივლ. არა-ეგალურად გაზ. „იუმანიტემ" გამოაქვეყნა პ-ის მანიფესტი, რ-იც მოუწოდებდა ფრანგ ალხს მუშათა კლასის მეთაურობით შეექ-ნათ ს-ის „თავისუფლების, დამოუკიდებ-ობისა და აღორძინების ფრონტი" წინა-ღმდეგობის ყველაზე მძლავრ ორგანიზა-იად იქცა სკპ-ის ინიციატივით შექმნილი როვნ. ფრონტი და მისი საბრძოლო ნაწი-ები — *ფრანტირერები* და პარტიზანე-ი. ეროვნ. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში იდი როლი ითამაშა მოძრაობამ „თავისუ-ალი საფრანგეთი" (1942 ივლისი-ან — „მებრძოლი საფრანგეთი"), რ-იც ენ. შ. დე გოლმა შექმნა. 1941 წ. 24 სექტ. ე გოლმა დააარსა საფრ. ეროვნ. კომიტე-ი, რ-იც ემიგრანტული მთავრობის ბირთ-ი გახდა. 1941 წ. 26 სექტ. საბჭ. მთავრო-ამ ოფიციალურად ცნო დე გოლი ყველა ავისუფალი ფრანგის ხელმძღვანელად. 942 დამლევს სსრკ-ში ჩამოვიდა ფრანგ ფრინავთა ჯგუფი და შექმნა ავიაპოლკი *ნორმანდია-ნემანი*", რ-იც გმირულად ებრძოდა სსრკ-გერმ. ფრონტზე. 1943 წ. 3 ვლ. ალჟირში დე გოლისა და გენ. ა. ო. იროს თავ-რეობით (9 ნოემბ-იდან დე ოლი მისი ერთადერთი თავ-რე) შეიქმნა როვნ. განთავისუფლების ფრ-ნგ. კომი-ეტი (ეგფკ). 1944 წ. 2 ივნ. ეგფკ, რ-იც ნო სსრკ-მა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთ-ა, გარდაიქმნა ს-ის რესპ. დროებით მთავ-ობად. 1944 წ. 6 ივნ. ინგლ.-ამერ. სამო-ავშიერეო ჯარები ნორმანდიაში გადასხ-დნენ, ერთდროულად გენ. შეტევა დაიწყეს არტიზ. რაზმებმა. ფრანგი ხალხის განა-ათ. ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენ-და *პარიზის აჯანყება* (1944) და დედაქა-ქის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. 944 დამლევისათვის ს. მთლიანად გაათა-ისუფლეს მტრისაგან. ქვეყნის განთავი-უფლების შემდეგ დროებითი მთავრობის ირველი დიდი საერთაშ. აქცია იყო 1944 წ. 10 დეკ. სსრკ-ს-ის ხელშეკრულება კავ-ირსა და ურთიერთობის შესახებ.

ომმა, უდიდესმა ზარალმა შეარყია ს-ის აერთაშ. პოზიციები. სამრეწვ. წარმოების ონე ომამდელის 38% შეადგენდა. და-წყო ს-ის კოლონ. იმპერიის დაშლა. ურაქ. პარტიების წინააღმდეგობის მიუ-ედავად ღემოკრ. ძალებმა სკპ-ის ხელმ-ღვანელობით შეძლეს მთელი რიგი ღო-ისძიებების განხორციელება (მრეწვ. მთე-ი რიგი დარგების, მსხვილი ბანკების ნა-ციონალიზაცია, სოც. უზრუნველყოფის ისტემის შემოღება, დემოკრ. კონსტ. მი-ება (1946). სკპ 1947 მაისამდე მონაწი-ეობდა ომის შემდგომ არსებულ ყველა თავრობაში, გარდა ლ. *ბლიუმის* ერთ-არტ. მთავრობისა (1946 დეკ. — 1947 ანვ.). რეაქციამ მემარჯვენე სოციალის-ების დახმარებით 1947 მაისში შეძლო ომუნისტების გაყვანა მთავრობიდან. 1948 -მა *მარშალის გეგმას* მოაწერა ხელი, 949 შეიქმნა *ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში* (ნატო-ი), ხოლო 1951 გახდა *ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების* წევრი. ა-ის მმართველობა წრეებმა წამოაყენეს ნატოს ფარგლებში ევრ. არმიის შექმნის გეგმა (ე. წ. პლევენის გეგმა), რ-მაც კრა-ი განიცადა ფრანგი საზოგადოებრიობის ფართო წრეების მძლავრი წინააღმდეგო-ბის გამო. მაგრამ მემარჯვენე წრეებმა შე-ძლეს მიეღწიათ *პარიზის შეთანხმებების 1954* რატიფიკაციისათვის; ამან აიძულა სსრკ 1955 გაეუქმებინა სსრკ-ს-ის ხელშეკ-რულება (1944). 1954 ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებით ვიეტ. ომი (იხ. *ვიეტ-ნამელი ხალხის წინააღმდეგობის ომი 1945—54*) შეწყდა, მაგრამ იმავე წელს ს-ის მმართველმა წრეებმა კოლონ ომი დაი-წყეს ალჟირში 1956 არჩევნებში მემარ-ცხენე ძალებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, კომპარტიამ, ისევე როგორც ომის შემდეგ გამართულ ყველა არჩევნებში, ამჯერადაც ამომრჩეველთა ყველაზე მეტი (5,6 მლნ.) ხმა მიიღო. მაგრამ 1956 იანვ. შექმნილმა მემარჯვენე სოციალისტ გი მოლეს მთავ-რობამ (უმეტესობას სოციალისტები და რადიკალები შეადგენდნენ) დაიწყო ორმა-გი პოლიტიკის გატარება: ერთის მხრივ, იგი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ხალ-ხის მოთხოვნებისათვის, რისთვისაც განა-ხორციელა რამდენიმე პროგრ. ღონის-ძიება [სოც უზრუნველყოფის სისტემის გა-ფართოება, მაროკოსა და ტუნისისათ-ვის დამოუკიდებლობის მინიჭება (1956 მარტი)], მეორეს მხრივ, განაგრძობდა ნატოს აგრესიული გეგმების მხარდაჭერის პოლიტიკას, აფართოებდა ალჟირში კო-ლონ. ომის მასშტაბებს, ხოლო 1956 შე-მოდგომაზე იგი ერთ-ერთი ინიციატორი გახდა *ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგ-რესიისა ეგვიპტის წინააღმდეგ*. 1957 ს-მა ხელი მოაწერა ევრ. ეკონომიკური გაერ-თიანების (ეეგ) შექმნის ხელშეკრულებას.

1957—58 ს-ის საერთაშ. მდგომარეობა გაუარესდა. ალჟირის კრიზისმა, სუეცის ავანტიურის კრახმა, ფინანს. სიძნელეებმა *მეოთხე რესპუბლიკის* კრიზისი გამოიწვია. გააქტიურდნენ რეაქციული ელემენტები. 1958 მაისში მათ ალჟირში მოაწყვეს ანტირესპ. ამბოხება., ს-ის არმიის სარდლობამ ამბოხებულებს დაუჭირა მხარი და გენ. დე გოლის მეთაურობით „ეროვნული ხსნის" მთავრობის ჩამოყალიბება მოითხოვა. ეროვნ. კრებამ 1 ივნ. დე გოლს ახ. მთავ-რობის შედგენის უფლება მისცა და შემ-დეგ მისი საგანგებო რწმუნებების კანონ-პროექტები მიიწონა. 1958 ახ. კონსტიტუ-ციამ აღმასრ. ხელისუფლება გააძლიერა, პრეზიდენტმა მიიღო ეროვნ. კრების დათ-ხოვნის, კანონპროექტების რეფერენდუმზე გატანის უფლება, აკრძალეს საგანგებო ვი-თარებისას მთელი ძალაუფლების ხელში აღების რწმუნება და სხვ. 1958 წ. 21 დეკ. ს-ის რესპ. პრეზიდენტად აირჩიეს დე გოლი. მან ახ. მთავრობის შედგენა დაავალა პრემიერ-მინისტრს მ. დებრეს (1959—62). მონოპოლიათა ინტერესების შესაბამისმა საფინანსო-ეკონ. პოლიტიკამ, რ-საც მთავრობა ატარებდა, გაჭიანურე-ბულმა ომმა ალჟირში მშრომელთა უკმა-ყოფილება გამოიწვია. მუნიციპალურ (1959 მარტი) და სენატის (აპრ.) არჩევნებში დემოკრ. ძალებმა სკპ-ის მეთაურობით შე-ძლეს თავისი პოზიციების გაუმჯობესება, ნატოში ს-ის როლის გაზრდის მიზნით ქვეყნის მთავრობამ განიზრახა აღეჭურვა ს-ის არმია ბირთვული იარაღით (1960 თებ-ში და აპრ-ში გამოცადეს საჰარაში ფრანგ. ატომური ბომბები). როცა დე გოლმა სამხ. საშუალებებით ალჟირის საკითხის გადაწყვეტას ვერ მიაღწია, 1959 წ. 16 სექტ. განცხადებით (მიუხედავად ულტრამემარჯვენეთა წინააღმდეგობისა) ცნო ალჟირის პრობლემის თვითგამორკვე-ვის პრინციპით გადაწყვეტის შესაძლებ-ლობა. ულტრამემარჯვენეთა მიერ პროვო-ცირებული კოლონიალისტების ამბოხი ალჟირში (1960) მყისვე ჩაახშვეს ს-ის მუ-შათა კლასისა და მთელი ხალხის მტკიცე პოზიციის მეოხებით.

1958 ს-ის კოლონია გვინეამ დამოუკი-დებლობა გამოაცხადა. ს-ის კოლონ. იმ-პერია ფაქტობრივად იშლებოდა და მმარ-თველი წრეები იძულებული გახდნენ 1960 ეცნოთ აფრ. ყოფილი კოლონიების დამო-უკიდებლობა. 60-იანი წწ. დასაწყისში გაძ-ლიერდა გფრ-თან თანამშრომლობა. ვინა-იდან ს. დაადგა ატომური იარაღის შექმ-ნის გზას, 1963 ხელი არ მოაწერა ბირთვუ-ლი იარაღის აკრძალვის ხელშეკრულებას. მაგრამ შემდეგ ს-ის დიპლომატიამ გაით-ვალისწინა ძალთა რეალური თანაფარ-დობა მსოფლიოში, იმპერიალიზმის საერ-თაშ. წინააღმდეგობანი და გამოვიდა გფრ-ის მონაწილეობით მრავალმხრივი „ბირთ-ვული ძალების" შექმნის გეგმების წინა-აღმდეგ 1966 ს-მა დაგმო აშშ-ის ინტერ-ვენცია ინდოჩინეთში, 1967 ისრაელის აგ-რესია არაბ. ქვეყნების მიმართ 1966 მარტ-ში ს. გამოვიდა ნატოს სამხ ორგანიზაცი-იდან. გააუქმა ს-ის ტერიტორიაზე არსე-ბული აშშ-ის ბაზები. იმავე დროს მნიშვნე-ლოვნად გაუმჯობესდა ს-ის ურთიერთობა სოციალ თანამეგობრობის ქვეყნებთან (1966 დე გოლის ვიზიტი სსრკ-ში, ს.-სსრკ-ის პოლიტ. დაახლოება, ეკონ., სამეცნ.-ტექ. და კულტ თანამშრომლობის გაფართოება და სხვ.). ს-ის საგარეო პოლიტიკის ახ. ტენდენციების მატერ საფუძველს წარმო-ადგენდა ს-ის ეკონ გარკვეული კონსო-ლიდაცია 1959—68 სამრეწვ. წარმოების ინდექსი 1,5-ჯერ გაიზარდა, პასიური სა-გადასახადო ბალანსი აქტიურით შეიცვა-ლა. 1965 პრეზიდენტის არჩევნებში მე-მარცხენე ძალებმა მხარი დაუჭირეს ოპო-ზიციის საერთო კანდიდატს ფ. *მიტერანს*. 1966 წ 20 დეკ. დე გოლი მხოლოდ ხელა-ხალი კენჭისყრის შემდეგ აირჩიეს. სკპ-ის, სოციალისტებისა და რადიკალების ბლოკ-მა ხელი მოაწერა ერთობლივ შეთანხმე-ბას. 1967 პარლამენტის არჩევნებში დე გოლის მომხრეებმა და დამოუკიდებელი რესპ. მმართველმა ბლოკმა ფაქტობრივად დაკარგა ეროვნ. კრებაში უმრავლესობა.

1968 ს. შეარყია უპრეცედენტო სოც.-პოლიტ. კრიზისმა. იგი გამოიხატა სტუ-დენტთა მძვინვარე მღელვარებაში და საყოველთაო გაფიცვებში. გაფიცულთა რაოდენობამ 10 მლნ. მიაღწია. მთავრობა იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო: გადიდდა ხელფასი, შემცირდა სამუშაო კვირა, გაუმჯობესდა შრომის პირობები, გარანტირებულ იქნა პროფკავშირთა უფ-ლებები. მას შემდეგ, რაც მმართველმა ბა-ნაკმა ობივატელთა დასაშინებლად გამოი-ყენა მემარცხენე დაჯგუფებათა ექსცესე-ბი, აგრეთვე სოციალისტებისა და რადიკალების გამთიშველი ტაქტიკა, 1968 არჩევნებში კვლავ მოიპოვა უმ-რავლესობა პარლამენტში. ჟ. *პომპი-დუს* (1962—68) მთავრობა შეცვალა მ. კუვ დე მიურვილის (1968—69) კაბინეტ-მა. 1968 შემოდგომაზე *მეხუთე რესპუბლი-კის* რეჟიმი შეძრა მწვავე ფინანს. კრი-ზისმა. ს-მა დაკარგა ოქროს მარაგის 1/2, შეირყა ფრანკის სიმტკიცე. 1969 დე გოლმა მოაწყო რეფერენდუმი, უნდა გაეხორციელებულიყო ცვლილებები ადმ.-ტერიტ. მმართველობაში და სენატის რეფორმები. დე გოლს წინ აღუდგნენ არა მარტო მემარცხენე ძალები, არამედ მმარ-თველი კოალიციის ნაწილიც, რის გამოც იგი გადადგა. 1969 სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს ჟ. პომპიდუ. პრემიერ-მინისტრებად დარჩნენ დე გოლის მომხრე-ები, ჯერ ჟ. შაბან-დელმასი (1969—72), შემდეგ — პ. მესმერი (1972—74). 1968 მაის-ივნ. მოვლენებით დაშინებულმა მთავრობამ „ახალი საზოგადოების" ლო-ზუნგით გაატარა ზოგიერთი სოც. რეფორ-მა (განხორციელდა უმაღლესი სკოლის რე-ორგანიზაცია, გაიზარდა პროფკავშირების უფლებები წარმოებაში, გაფართოდა პროფგანათლების ქსელი, დაწესდა დამა-ტებითი პენსიები), მაგრამ პროფ. კავ-შირებთან მიღწეულ „კონსტრუქციული დიალოგის" გეგმა ჩაიშალა. ამავე დროს გაძლიერდა მემარცხენე ძალების ერთიანო-ბის ტენდენცია, განსაზღვრული ძვრები მოხდა სოციალ. მოძრაობაში. სკპ გაერ-თიანდა რიგ მემარცხენე დაჯგუფებებთან

და 1971 ჩამოყალიბდა ას. სოციალ. პარტია. 1972 წ. 27 ივნ. ს-ის კომპარტიისა და სოციალ. პარტიის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს მთავრობის ერთობლივ პროგრამას, რ-იც ითვალისწინებდა მრეწვ. უმნიშვნელოვანესი დარგების ნაციონალიზაციას, პროგრ. სოც.-ეკონ. რეფორმების გატარებას, საზ. ცხოვრების დემოკრატიზაციის, სამშვიდობო საგარეო პოლიტ. კურსს. ამ მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა ზემოქმედება მოახდინა 1973 პარლამენტის არჩევნების მსვლელობაზე. მემარცხენე ძალებმა მოიპოვეს ხმების 46,3%. 1974 პრეზიდენტის არჩევნებში მემარცხენე ძალების კანდიდატი ფ. მიტერანი მჭიდროდ მიუახლოვდა ხმების აბსოლ. უმრავლესობას (49,2%). მემარცხენეებმა გაიმარჯვეს კანტონალური და მუნიციპალური ორგანოების არჩევნებში. 1974 პრეზიდენტის არჩევნებში დეგოლელთა კანდიდატმა შაბან-დელმასმა მარცხი განიცადა. სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს დამოუკიდებელი რესპუბლიკელების ეროვნ. ფედერაციის პარტიის ლიდერი ვ. ჟისკარ დ'ესტენი. მთავრობას ხელმძღვანელობდნენ ჯერ. ჟ. შირაკი (1974—76), შემდეგ რ. ბარი. დაიწყო მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციის კრიზისი, რაც გამოიწვია დე გოლის მომხრეებსა და მის ყოფილ მოკავშირეთა შორის კონფლიქტმა. კლასობრივ ძალთა ბალანსის შეცვლამ განსაზღვრა ცვლილებები ს-ის საგარეო პოლიტიკაში. საფრ.-ამერ. ურთიერთობა სტაბილური გახდა. გაფართოვდა ს-ის ნატოსთან თანამშრომლობა. გაძლიერდა ევრ სავალუტო-ეკონ. და პოლიტ. კავშირად გადაქცევის ტენდენციები. ამასთან ერთად ფართოვდებოდა ს.-სსრკ თანამშრომლობა, რ-იც საზ. მხარდაჭერით სარგებლობდა. ხელი მოაწერეს ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორიცაა პოლიტ. კონსულტაციების ოქმი (1970), ს.-სსრკ შორის თანამშრომლობის პრინციპები (1971), მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების დეკლარაცია (1975), სსრკ-ის დეკლარაცია, განცხადება საერთაშ. დაძაბულობის შესახებ (1977); 60—70-იან წლებში დაიდო აგრეთვე ეკონ., მეცნ., ტექ., სავაჭრო და კულტ. შეთანხმებანი ს-სა და სოციალ. თანამეგობრობის ქვეყნებს შორის. 1981 წ. 10 მაისს ს-ის რესპ. პრეზიდენტად აირჩიეს ფ. მიტერანი. 1981 წ. 23 ივნ. შექმნილ მთავრობაში მინისტრის ოთხი პოსტი კომუნისტებმა მიიღეს. 1984 ივლ-ში სკპ-ის წარმომადგენლები პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში უთანხმოების გამო მთავრობიდან გამოვიდნენ. ამავე წელს ფ. მიტერანმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა ლ. ფაბიუსი.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, თბ., 1963—64; ანთაძე კ., ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978; კილურაძე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1963; ნამორაძე ა., ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII—XVIII სს., თბ., 1935; ტაბაღუა ი., საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 1955; Жордания Г. Г., Очерки из истории франко-русских отношений конца XVI и первой половины XVII вв., ч. 1—2, Тб., 1959; История Франции, т. 1—3, М., 1972—73.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მემარცხენე რადიკალების მოძრაობა (მრმ; Le Mouvement des Radicaux de Gauche), პოლიტ. დაჯგუფება, დაარსდა 1972. აერთიანებს 30 ათ. კაცს (1979) დამოუკიდებლებისა და გლეხების ეროვნული ცენტრი (დგეც; Centre National des Indépendants et Paysans), დაარსდა 1949; გაერთიანება რესპუბლიკის მხარდაჭერისათვის (გრმ; Rassemblement pour la République), დაარსდა 1962, აერთიანებს დაახლ. 700 ათ. კაცს; გაერთიანებული სოციალისტური პარტია (გსპ; Parti Socialiste Unifié), დაარსდა 1960, აერთიანებს 7 ათ. კაცს; რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების რესპუბლიკური პარტია (რრსრპ; Parti Républicain Radical et Radical-Socialiste), დაარსდა 1869 (1972 პარტია გაითიშა და გამოეყო მემარცხენე რადიკალების მოძრაობა), აერთიანებს 30 ათ. კაცს; რესპუბლიკური პარტია (რპ; Parti Républicain), დაარსდა 1977, აერთიანებს დაახლოებით 160 ათ. კაცს; სოციალისტური პარტია (სპ; Parti Socialiste), დაარსდა 1971, აერთიანებს 240 ათ. კაცს (1983); საფრანგეთის კომუნისტური პარტია (სკპ; Parti Communiste Français), დაარსდა 1920, აერთიანებს 710 ათ. კაცს (1982 იანვ.).

სოციალური დემოკრატების ცენტრი (სდც; Centre des Démocrates Sociaux), დაარსდა 1976. კავშირი საფრანგეთის დემოკრატიისათვის (კსდ; Union pour la Démocratie Française), დაარსდა 1978; შრომის საყოველთაო კონფედერაცია (შკ; Confédération Générale du Travail), დაარსდა 1895, აერთიანებს 1.918 ათ. წევრს; ფორს უვრიერი (Force Ouvrière), პროფკავშირული ცენტრი, დაარსდა 1947, აერთიანებს დაახლოებით 1 მლნ. კაცს.

რ. ლასკარი.

VII. ეკონომიკურ გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ს. კაპიტალ. სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრ. სახელმწიფოა. მთლიანი ეროვნ. პროდუქტის დიდ ნაწილს იძლევა მრეწვ. და მომსახურების სფერო. სამრეწვ. წარმოებისა და სოფ. მეურნ. პროდუქციის მოცულობით, კაპიტალის გატანითა და ოქროს მარაგით ს. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში.

ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონე, ბევრია წვრილი და საშ. საწარმო. მეურნეობაში წამყვანი პოზიციები უჭირავს რამდენიმე ათეულ ფინანსურ და სამრეწვ. ჯგუფს, რ-თაგან ბევრი მჭიდროდაა დაკავშირებული უცხ. კაპიტალთან. უცხოეთის ინვესტიციების მოცულობით I ადგილზეა აშშ, II-ზე — გფრ. უცხოეთის კაპიტალთან დაკავშირებული დარგების რიცხვს მიეკუთვნება ნავთობის გადამუშავება, საერთო მანქანათმშ., ხელსაწყოთმშენებლობა. ელექტრონული, რეზინის, საავტ., რძის მრეწველობა.

მნიშვნელოვნადაა განვითარებული სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმი. სახელმწიფოს ეკუთვნის ს-ის ეროვნ. ეკონ. დაახლ. 1/3. ნაციონალიზებულია ქვანახშირის, აირის, ატომური მრეწვ., ელექტროსადგურების უმეტესობა, მანქანათსამშ., ქიმ. და სამხ. საწარმოთა ნაწილი, საფრ. საგარეო ბანკი და უდიდესი კომერც. (დეპოზიტური) ბანკები. სახელმწიფოს ხელშია ფოსტა და ტელეგრაფი, თამბაქოსა და ასანთის ფაბრიკები, რკინიგზის ტრანსპ. დიდი ნაწილი, არხები, სამეცნ.-კვლ. დაწესებულებანი. არის ბევრი შერეული საწარმო, სადაც მონაწილეობს როგორც სახელმწ., ისე კერძო კაპიტალი.

უცხოეთში კაპიტალდაბანდებათა მოცულობით ს. IV ადგილზეა აშშ-ის, დიდი ბრიტ. და გფრ-ის შემდეგ. ს-ის კაპიტალდაბანდებანი განსაკუთრებით დიდია ყოფ. კოლონიებში, ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებში, ესპანეთსა და შვეიცარიაში. უკანასკნელ წლებში ს-ის მთავრობა შეუდგა სოც.-ეკონ. გარდაქმნათა პროგრამის განხორციელებას, რ-ის მთავარი მიზანია მიაღწიოს და შეინარჩუნოს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ს-ის ეკონ. განვითარების მაღალი ტემპი და შეამციროს საგარეო ბაზარზე დამოკიდებულება. 1983 ს-ში დაახლ. 2,1 მლნ. მთლიანად უმუშევარი იყო.

მრეწველობა. II მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა მრეწვ. განვითარების ტემპი, მნიშვნელოვნად განახლდა ძირითადი კაპიტალი, განვითარდა უახლესი დარგები. მრეწვ. დარგებიდან მთლიანი პროდუქციის ღირებულებითა და დასაქმებულთა რაოდენობით წამყვანია მძიმე მრეწვ., ამასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს მსუბუქი და კვების მრეწვ. დარგები.

მოპოვებითი მრეწველობა და ენერგეტიკა. ს. სათბობ-ენერგეტ. რესურსებით არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი. სათბობის დაახლ. 3/4 შეაქვთ. ქვანახშირის მრეწვ. თანდათან ეცემა სხვა სახის ენერგორესურსების ფართო გამოყენებისა და შედარებით იაფი იმპორტული ქვანახშირის კონკურენციის გამო. ქვანახშირის მოპოვების მთავარი რ-ნებია ლოთარინგია, ჩრდილოეთი, ცენტრი — სამხრეთი. ნავთობის მოპოვება უმნიშვნელოა, იგი თითქმის მთლიანად შეაქვთ. ნავთობგადასამუშ. ქ-ნების საერთო სიმძლავრეა 189,8 მლნ. ტ (1983). უდიდესი ნავთობგადასამუშ. ქ-ნები განლაგებულია მარსელის მახლობლად, სენის შესართავთან. ნავთობის გადამუშავებისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვის ნახევარზე მეტს აკონტროლებს სახელმწ. კომპანია „ერაპი" და „კომპანი ფრანსეზ დიუ პეტროლი", დანარჩენს — ამერ. და ინგლ.-ჰოლანდ. ნავთობის კომპანიები. ნედლი ნავთობის ნაწილი მილსადენით გადაეცემა გფრ-ს, ნავთობპროდუქტების ნაწილი — აფრ. და დას. ევრ. ქვეყნებს. ბუნებრივი აირის მოპოვება თავმოყრილია ლაკის რ-ნში. მოხმარებული აირის ნახევარზე მეტი შეტანილია ალჟირიდან, ნიდერლანდიდან, სსრკ-იდან. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეა 84 მლნ. კვტ (1983). ელექტროენერგიის დიდ ნაწილს იძლევა თესები, რ-ებიც თავმოყრილია ქვანახშირის აუზებში, დიდ ქ-ებსა და საზღვ. ნავსადგურებში. უდიდესი ჰესებია აგებული მდ. რონასა და მის შენაკადებზე. ბევრი ჰესია საფრ. ცენტრ. მასივში, პირენეებსა და მდ. რაინზე. ბრეტანში, მდ. რანსის შესართავთან, მუშაობს ელექტროსადგური, რ-იც ზღვის მოქცევის ენერგიას იყენებს. არის რამდენიმე აესი. ატომურ მრეწველობას საკუთარი ნედლეულის ბაზა აქვს. ურანის მოპოვების მთავარი ცენტრებია ლაკრუზიი, ფორეზი, ლაშო (საფრ. ცენტრ. მასივი), ლ'ეკარპიერი (ვანდეა). მათ მახლობლად ხდება მადნის გამდიდრება. ლითონურ ურანს იღებენ ქ. ლე-ბუშესა (პარიზთან) და სხვა ქ-ნებში. ატომური მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრებია ქ-ები პიერლატი (გამდიდრებული ურანის წარმოება) და მარკული (პლუტონიუმის წარმოება). რკინის მადნის მოპოვებით (მთავარი რ-ნია ლოთარინგია) ს. IV ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში. იღებენ აგრეთვე ბოქსიტს, თუთიას, ტყვიას, ვოლფრამს, ოქროს, კალიუმის მარილებს, გოგირდს, ქვამარილს, ბარიტს, ტალკს, კაოლინს, აზბესტს, ფლუორიტს, საშენ მასალას.

დამუშავებითი მრეწველობა. შავი და ფერადი მეტალ. დარგები მუშაობენ როგორც ადგილ.., ისე შეტანილი (მაღალხარისხოვანი რკინა, სპილენძი, კობალტი, კალა, ვოლფრამი და სხვ.) ნედლეულით. იმპორტული ნედლეულით მუშაობს დიუნკერკისა და ფოს-სიურ-

მერის მძლავრი მეტალ. კომბინატები. შავი მეტალ. მთავარი რ-ნებია ლოთარინგია და ჩრდ. რ-ნი. განვითარებულია ელექტრომეტალურგია, ხარისხოვანი ფოლადის წარმოება, ალუმინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ნიკელის, კობალტის, ვოლფრამის და სხვ. გამოდნობა.

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება ს-ის მრეწვ. მთავარი დარგებია, განსაკუთრებით განვითარებულია სატრანსპ. და საერთო მანქანათმშენებლობა. წარმოებული მსუბუქი ავტომობილების (ფირმები „პეჟო-სიტროენი", „რენო", „კრაისლერ-ფრანსი") თითქმის ნახევარი საექსპორტოა. საავტ. მრეწვ. მთავარი ცენტრებია პარიზი, სოშო-მონბელიარი, ლიონი. ავიასარაკეტო მრეწველობით ს. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალ. ქვეყნებს შორის. ს. აწარმოებს და ბევრ ქვეყანაში გააქვს სხვადასხვა ტიპის საშხ. და სამოქალაქო თვითმფრინავი (მ. შ. ზებგერითი ფრანგ.-ბრიტ. თვითმფრინავი „კონკორდი"), შვეულმფრენები, ძრავები. ს. უშვებს სხვადასხვა სახის რაკეტულ და კოსმ. ტექნიკას, დედამიწის კოსმ. თანამგზავრებს და სხვ. ავიათმშენებლობის მთავარი ცენტრებია პარიზი, ტულუზა, ბორდო. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გემთმშენებლობას, რ-ის მთავარი ცენტრებია ნანტი, დიუნკერკი, მარსელი. უშვებენ ლოკომოტივებს, ვაგონებს, ჩარხებს, სამშენებლო-საწნეხ მოწყობილობას, ელექტროტექ. და ელექტრონულ აპარატურას, გენერატორებს, ძრავებს, კაშირგაბმ. საშუალებებს, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებს, ტრაქტორებს, იარაღს. ელექტროტექ. და ელექტრონული მრეწვ. საწარმოთა ნახევარზე მეტი თავმოყრილია პარიზში.

ქიმიური მრეწველობა ვითარდება სწრაფი ტემპით, განსაკუთრებით, ნავთობქიმია, პლასტმასის, სინთეზური კაუჩუკის, ქიმ. ბოჭკოს, სარეცხი საშუალებების, საბხ. ქიმიის პროდუქტების, სასუქების წარმოება. ქიმ. მრეწვ. მთავარი ცენტრებია პარიზი, ლიონი, ქ-ების ჰავრისა და მარსელის რ-ნები.

მსუბუქი და კვების მრეწველობა. ს. იძლევა ქსოვილების მსოფლიო წარმოების დაახლ. 5%-ს. საფეიქრო მრეწვ. მთავარი რ-ნებია ჩრდილოეთი (შალეულის, ბამბეულის, სელის, ჯუთის მრეწვ.), ვოგეზები და ელზასის სამხრ. ნაწილი (ბამბეულის მრეწვ.), ლიონის რ-ნი (ქსოვილების წარმოება ქიმ. ბოჭკოსაგან). დიდი მნიშვნელობა აქვს ტრიკოტაჟის წარმოებას (პარიზი, ტრუა). ტანსაცმლისა და გალანტერეის გამოშვების მთავარი ცენტრია „მოდების კანონმდებელი" პარიზი. ს. მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ტყავის ფეხსაცმლის წარმოებით. უკანასკნელ წლებში დიდი სტრუქტურული ცვლილებები ხდება კვების მრეწველობაში, რაშიც დიდ როლს თამაშობს უცხოეთის, უმთავრესად ამერ., კაპიტალი. ს. მელვინეობის კლასიკური ქვეყანაა (69 მლნ. *ჰლ* ღვინო, 1983). მსოფლიოში ცნობილია ჟირონდის (ცენტრი ქ. ბორდო), შამპანის, ბურგუნდიის ღვინო, კონიაკი, ლიქიორი. კვების მრეწვ. სხვა დარგებიდან გამოირჩევა საფქვავი, ხორცის, რძის, თევზ-, ხილსაკონსერვო, შაქრის მრეწველობა. მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

სოფლის მეურნეობა ვითარდება გამწვავებული აგრ. კრიზისის პირობებში, რაც გამოწვეულია ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების პროდუქციის დიდი კონკურენციით. უკანასკნელ წლებში გაძლიერდა სას.-სამ. წარმოების კაპიტალ. კონცენტრაცია, გაიზარდა ტექ. აღჭურვილობა, მინერ. სასუქების გამოყენება, სას.-სამ. კულტურების მოსავლიანობა და საქონლის პროდუქტიულობა. სოფ. მეურნეობაში რაოდენობრივად ჭარბობს წვრილი და საშ. მეურნეობები. სასაქონლო პროდუქციის დიდ ნაწილს იძლევა მსხვილი მეურნეობები, რ-თა ხელშია სას.-სამ. მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. სახელმწიფო ყოველმხრივ უწყობს ხელს მათ გაღლიერებას, აძლევს კრედიტებსა და სუბსიდიებს, უწესებს შეღავათიან გადასახადებს და ა. შ., რაც აჩქარებს წვრილი, ე. წ. არარენტაბელური მეურნ. გაკოტრებას.

სას.-სამ. სავარგულების ფართობი შეადგენს ს-ის ტერიტ. დაახლ. 2/3-ს. სახნავი ფართობი სულ უფრო მცირდება, სათიბ-საძოვრები კი იზრდება. სოფ. მეურნ. პროდუქციის ღირებულების დაახლ. 43%-ს იძლევა მემცენარეობა, 57%-ს — მეცხოველეობა. მარცვლეული კულტურების მოსავლით ს. კაპიტალ. ქვეყნებიდან მხოლოდ აშშ-ს, ინდოეთსა და კანადას ჩამორჩება. მთავარი მარცვლეული კულტურაა ხორბალი (მარცვლეულის მოსავლის დაახლ. 1/2), რ-ის წარმოების მთავარი რ-ნია დაბლობი ქვეყნის ჩრდ. ნაწილში. იზრდება სიმინდისა და ქერის მოყვანა. რონის დელტაში მოჰყავთ ბრინჯი. შაქრის ჭარხლის ნათესები უმთავრესად ქვეყნის ჩრდ. ნაწილშია. მცირდება კარტოფილის მოყვანა. დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას. ყურძნის მოსავლით ს. I ადგილზეა მსოფლიოში. მევენახეობის მთავარი რ-ნებია ლანგედოკი, შამპანი, ბურგუნდია, ტურენი, გასკონი, ქ. ბორდოს რ-ნი. სამხრ. ს-ში არის ზეთისხილის ნარგავები. თითქმის ყველგან მოჰყავთ ბოსტნეული და ხილი, უმთავრესად ვაშლი, მსხალი, ატამი, კ. კორსიკაზე — ციტრუსები. სას.-სამ. კულტურების ნათესი ფართობისა და მოსავლის შესახებ იხ. ცხრ. 2.

მეცხოველეობა სახორცე-სარძევე მიმართულებისაა. 1983 ს-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 23,7, ცხვარი 13, ღორი — 10,3. მსხვ. რქ. საქონელს აშენებენ ქვეყნის ჩრდ.-დას. და მთიან რ-ნებში, მეღორეობას მისდევენ ბრეტანში, ელზასში, ქვეყნის ჩრდ. და სამხრ.-დას. რ-ნებში, მეცხვარეობას — საფრ. ცენტრ. მასივის სამხრ. ნაწილსა და სამხრ. ალპებში. ხორცის წარმოებით (1,9 მლნ. ტ ძროხის ხორცი, 1,7 მლნ. ტ ღორის ხორცი, 1983) ს. დას. ევროპაში მხოლოდ გფრ-ს ჩამორჩება, რძის წარმოებით (261,8 მლნ. *ლ*, 1983) კი I ადგილზეა.

თევზჭერის მთავარი რ-ნია ატლანტის ოკეანე. მთავარი თევზსაჭერი ნავსადგურებია ბულონი, ლორიანი, ლა-როშელი. სარეწაო მნიშვნელობისაა ხამანწკა (1 მლრდ-ზე მეტი ხამანწკა წელიწადში; I ადგილი მსოფლიოში).

ტრანსპორტი. სატრანსპ. ქსელი რადიალური კონფიგურაციისაა, მისი ცენტრია პარიზი. რკინიგზის სიგრძეა 35 ათ. *კმ*, მ. შ. დაახლ. 25% ელექტრიფიცირებულია (1980). საავტ. გზების სიგრძით (დაახლ. 1500 ათ. *კმ*) და ავტოპარკის სიდიდით (23,2 მლნ. ავტომობილი, მ. შ. 20,3 მლნ.— მსუბუქი; 1982) ს. ერთ-ერთ I ადგილზეა მსოფლიოში. მნიშვნელოვანი ავტოსტრადაა ლილ—პარიზ—ლიონ—მარსელი. შიგა წყლის გზების სიგრძეა 7,2 ათ. *კმ*. გადაზიდვების დაახლ. 4/5 მოდის მდ. სენასა და არხად ქცეულ მდ. მოზელზე. მთავარი სამდ. ნავსადგურებია პარიზი, სტრასბური. რუანი, ლილი. გაყვანილია ნავთობსადენი მარსელ—ლიონ—სტრასბურ—კარლსრუე (გფრ), პროდუქტსადენები ჰავრ—პარიზი და ბორდო—ტულუზა, აირსადენები. საგარეო კავშირებში დიდ როლს თამაშობს საზღვ. სავაჭრო ფლოტი (ტონაჟი 11,9 მლნ. ბრუტო სარეგისტრო ტ, 1979). ს-ის 6 უდიდესი ნავსადგურის (მარსელი, ჰავრი, დიუნკერკი, რუანი, ნანტ—სენ-ნაზერი, ბორდო) ტვირთბრუნვაა 210,1 მლნ. ტ (1983), მ. შ. მარსელისა — 86,7 მლნ. ტ, ჰავრისა — 48,3 მლნ. ტ. 1983 პარიზის აეროპორტებმა (ბურჟე, ორლი, შარლ-დე-გოლი) გადაიყვანეს 29,7 მლნ. მგზავრი.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოცულობით ს. IV ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში აშშ-ის, გფრ-ისა, და იაპ. შემდეგ. 1983 ექსპორტმა შეადგინა 723,6 მლრდ. ფრანკი, იმპორტმა — 765,6 მლრდ. გააქვთ მანქანა-მოწყობილობა და სატრანსპ. საშუალებანი, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, სოფ. მეურნ. პროდუქცია. შეაქვთ ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, სამომხმარებლო საქონელი, სათბობ-ენერგეტ. პროდუქცია (უმთავრესად ნავთობი), მოწყობილობა.

საგარეო ვაჭრობაში წამყვანია (1983) ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები (ექსპორტის 46,6% და იმპორტის 51,7%; მ. შ. გფრ-ის წილად მოდის ექსპორტის 14,8% და იმპორტის 17,5%, იტალ. წილად, შესაბამისად, 10,1% და 104%, ბელგია ლუქსემბურგის წილად — 8,1% და 8,3%), აშშ (5,8% და 7,9%), ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები (9,2% და 13,2%), სოციალ. ქვეყნები (2,2% და 2,7%). ს-ს სსრკ-იდან გააქვს უმთავრესად თხევადი სათბობი, ხეტყის მასალა, ბამბა, ანთრაციტი, ლითონის მადანი, მზესუმზირას ზეთი, ჩარხები, სამრეწვ. მოწყობილობა. სსრკ-ში შემოაქვს კომპლ. სამრეწვ. მოწყობილობა, ჩარხები და მანქანები, შავი ლითონების ნაგლინი, მსუბუქი და კვების მრეწვ. ნაწარმი.

ს. საერთაშ. ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი რ-ნია. 1983 ქვეყანა დაათვალიერა 30,8 მლნ. უცხოელმა ტურისტმა.

ლიტ.: Актуальные экономические и социальные проблемы Франции. Сборник обзоров. М., 1982; Павлова М. А.,

ცხრ. 1. მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1937	1950	1960	1970	1983
ელექტროენერგია (მლრდ. *კვტ · სთ.*)	21,1	34,6	75,1	146,8	281,3
ქვანახშირი (მლნ. ტ)	44,3	50,8	56,0	37,4	16,8
ნავთობი (მლნ. ტ)	0,1	0,1	2,0	2,3	2,4
ნავთობი (გადამუშავება) (მლნ. ტ)	6,2	14,5	32,3	102,5	76,3
ბუნებრივი აირი (მლრდ. $მ^3$)	—	0,2	4,2	10,0	9,4
რკინის მადანი (მლნ. ტ)	37,8	30,0	67,0	57,4	15,7
ბოქსიტი (მლნ. ტ)	0,7	0,8	3,0	3,0	1,8
თუჯი (მლნ. ტ)	7,9	7,8	14,1	19,2	13,8
ფოლადი (მლნ. ტ)	7,9	8,7	17,3	23,8	17,5
ალუმინი (პირველადი) (ათ. ტ)	35	61	235	381	360,0
პლასტმასა (ათ. ტ)	10*	547	695	1520	3613,0
სუპერფოსფატი (ათ. ტ)	1335	1650**	1261	1220	668,0
გოგირდმჟავა (ათ. ტ)	1272	1215	2046	3682	4306,5
ცემენტი (მლნ. ტ)	4,3	7,4	14,3	26,9	24,5
სავაჭრო გემები (ათ. ბრუტო სარეგისტრო ტ)	27	181	594	960	196,6
ავტომობილები (ათ. ც)	201	358	1369	2750	3541,9
მ. შ. მსუბუქი (ათ. ც)	117	258	1135	2458	3228,1
სას.-სამ. ტრაქტორები (ათ. ც)	1,8*	14,2	63,4	68,8	38,5
ბამბის ქსოვილები (ათ. ტ)	183*	192	233	197	121,5
შალის ქსოვილები (ათ. ტ)	79,8	80	72,1	63,7	44,8
შტაპელის ბოჭკო (ათ. ტ)	5,1	36,4	63,6	79,0	66,6
სინთეზური ბოჭკო (ათ. ტ)	—	1,7	45,0	180	229,3

* 1938. ** 1951.

ცხრ. 2. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი და მოსავალი

კულტურა	ფართობი (ათ. ჰა)			მოსავალი (ათ. ტ)		
	1953—57*	1974	1983	1953—57*	1974	1983
ხორბალი	4135	4140	4860	9335	19100	24790
ქერი	2283	2712	2180	6405	9972	8870
შვრია	2277	666	497	4604	2059	1470
სიმინდი	500	1907	1646	1212	8885	9350
შაქრის ჭარხალი	344	504	492	11461	21932	25186
კარტოფილი	1040	318	204	16052	7592	5600

* სამ. წელიწადში.

Региональная политика Франции, М., 1974; Франция, [М., 1973]; Шабо Ж. Франция. Развитие экономико-географических районов, пер с франц., М., 1970.

VIII. შეიარაღებული ძალები

ს-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალების, სამხ.-საზღვ. ძალებისა და ეროვნ. ჟანდარმერიისაგან. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობაა დაახლ 270 ათ. კაცი (1979). უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი, უშუალოდ ხელმძღვანელობს თავდაცვის მინისტრი სახმელეთო ჯარებში (დაახლ. 324 ათ კაცი) შედის სხვადასხვა გვარეობის 15 დივიზია და 10 პოლკი, 2100 ტანკი, დაახლ. 1000 ჯავშანტრანსპორტიორი და სხვ. სამხ.-საჰაერო ძალებში (100 ათ-ზე მეტი კაცი, 470 მეტი საბრძოლო თვითმფრინავი) გაერთიანებულია 4 სარდლობა: სტრატეგიული, ტაქტიკური, პაერსაწინააღმ თავდაცვის და სატრანსპორტო. სამხ.-საზღვ. ფლოტში (დაახლ. 69 ათ. კაცი, 200 მეტი საბრძოლო ხომალდი და დაახლ. 200 დამხმარე გემი) შედის ფლოტი, საზღვ. ავიაცია და საზღვ. ქვეითი ჯარი. ფლოტის ძირითადი ბაზებია შერბური, ბრესტი, ლორიანი, როშფორი, ტულონი. შეიარაღებული ძალები კომპლექტდება ეროვნ. ვალდებულების კანონის საფუძველზე და დაქირავების გზით. გასაწვევი ასაკი — 18 წელი, სამხ. სამსახურის ვადა — 12 თვე.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1981 შობადობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 14,9, სიკვდილიანობა — 10,3; ბავშვთა სიკვდილიანობა — 9,7 ყოველ 1000 ცოცხლად შობილზე. 1980 სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა იყო 70,8 (კაცებში) და 79,6 (ქალებში) წელი. ჭარბობს არაინფექციური პათოლოგია. სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები, ტრავმატიზმი.

ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტრო ფინანს. და ადმ. კონტროლს უწევს საავადმყოფოების მუშაობას, წყვეტს მათი მშენებლობის საკითხს, განაგებს ფსიქ. და ზოგიერთ სხვა დაავადებასთან ბრძოლის, საავთიაქო ქსელის ორგანიზაციის საქმეს და სხვ. ს-ის საზ. ჰიგიენის უმაღლესი საბჭოს და ჯანდაცვის უმაღლესი სამედ. კომიტეტის ამოცანაა ჯანდაცვის დარგში სახელმწ. პოლიტიკის შემუშავება, სამედ.-პროფილაქტ. დახმარების სხვადასხვა სახის საჭიროების განსაზღვრა და სხვ.

სოც. უზრუნველყოფის სისტემაში შედის დროებითი შრომისუუნარობის დროს და სიბერეში უზრუნველყოფა, საოჯახო დახმარების გაცემა.

1977 საწოლების ფონდი შეადგენდა 644,1 ათ. საწოლს (13,3 საწოლი 1 ათ. მცხ.), 1977 მუშაობდა 91,4 ათ. ექიმი (1 ექიმი 580 მცხ.), 27,7 ათ. სტომატოლოგი და 160 ათ-ზე მეტი საშ. სამედ. პერსონალი. მოსახლეობას საავადმყოფოს გარეშე მომსახურებას ძირითადად უწევენ კერძო პრაქტიკის მქონე (50 ათ.) ექიმები; ამბულ.-პოლიკლინიკურ დახმარებას უწევენ აგრეთვე მრავალპროფილიანი ჯანმრთელობის ცენტრები, პოლიკლინიკების განყოფილებები, დედათა და ბავშვთა ცენტრები, სპეციალიზებული დისპანსერები. ექიმებს ამზადებს უნ-ტების 33 სამედ. ფაკ-ტი, კბილის ექიმებს—14, ფარმაცევტებს—24, მეანებს — 30 სასწ. დაწესებულება.

ს-ის ცნობილი კურორტებია *ვიში, დაქსი*, ექს-ლე-ბენი, *ბიარიცი, დიეპი, კანი*, მენტონი, *ნიცა* და სხვ.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

თანამედროვე ს-ის ტერიტორიაზე პირველი სკოლები დაარსდა გალიაში რომაელთა ბატონობის პერიოდში. ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით VI—VII სს-ში აღმოცენდა სამონასტრო და საეკლ. სკოლები, მოგვიანებით — სამრევლო სასწავლებლები. განათლების შემდგომი განვითარება უკავშირდება ე. წ. „კაროლინგური აღორძინების“ ეპოქას (VIII—IX სს.) XII ს-ში გაჩნდა საქალაქო ფასიანი სკოლები. XIII ს. დასაწყისში პარიზში გაიხსნა პირველი ფრანგ. უნ-ტი, XIII—XIV სს-ში — ტულუზის, მონპელიეს, რეიმსის, ავინიონის, ორლეანისა და სხვ. უნ-ტები. XVI ს-ში კოლეჟების უმრავლესობა იეზუიტების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

საფრ. დიდმა რევოლუციამ დაანგრია განათლების ფეოდ. სისტემა. ნაპოლეონ I-მა ნაწილობრივ აღადგინა ეკლესიის გავლენა განათლების სფეროში, რაც კიდევ უფრო გაიზარდა რესტავრაციის (1814—15, 1815—30) პერიოდში. პარიზის კომუნამ 1871 ერთ-ერთ ამოცანად დაისახა სკოლის რევ. გარდაქმნა, საყოველთაო სწავლების ორგანიზაცია. ფრანგ. განათლების განვითარებაში ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა XIX—XX სს. მიღებულ კანონებს განათლების დარგში. XX ს. 30-იან წლებში დემოკრ. ძალებმა მიაღწიეს სახელმწ. სკოლებში უფასო განათლების შემოღებას. 1936 სახ. ფრონტის მთავრობამ სავალდებულო გახადა სწავლება 14 წლის ასაკამდე 50-იანი წლებიდან V რესპ. მთავრობამ არაერთი რეფორმა გაატარა განათლების განვითარებისათვის.

ს-ის განათლების თანამედროვე სისტემა მკაცრად ცენტრალიზებულია. ქვეყნის ტერიტ. იყოფა 23 აკადემიად (სასწ. ოლქად), თითოეულში შედის რამდენიმე დეპარტამენტი. სახელმწ. სკოლა გამოყოფილია ეკლესიისაგან. კერძო სკოლები (მოიცავს მოსწავლეთა 17%-ს) კათოლ. ეკლესიის კონტროლს ექვემდებარება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებია ე. წ. დედათა სკოლები და სკოლებთან არსებული საბავშვო კლასები (1983 იყო დაახლ. 2,2 მლნ. აღსაზრდელი). სავალდებულო სწავლება 1967-იდან 10-წლიანია. ზოგადსაგანმან. კოლეჯებსა და ლიცეუმებში გამოიყოფა სწავლების შინაარსითა და სოც. ფუნქციებით განსხვავებული სასწ. ნაკადები, რაც ფაქტობრივად სოც. სელექციის ფორმაა და განაპირობებს შემდგომი განათლების გზასაც. საშ. განათლების II ციკლი ორგანხრიანია: მოკლე- და გრძელვადიანი. 1802 შექმნილი ლიცეუმების გამოსაშვები კლასი იყოფა 5 ქვესექციად, რ-ებიც შეესატყვისება უმაღლეს სასწავლებელთა პროფილებს. ლიცეუმის გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ აძლევენ ბაკალავრის ხარისხს (30%-ზე მეტი ამ ხარისხს ვერ იღებს).

უმაღლესი სასწავლებლებია უნ-ტები (სწავლობს სტუდენტების 90%-ზე მეტი) და უმაღლესი სკოლები; ბაკალავრებს უგამოცდოდ იღებენ. I კურსზე სტუდენტთა რაოდენობა ლიმიტირებული არ არის, შემდგომში კი თანდათან ხდება განთესვა. 1968 ს-ში იყო 23 უნ-ტი, მ. შ. ყველაზე დიდი — *პარიზის უნივერსიტეტი* (სორბონი). 1969-იდან დაიწყო უნ-ტების დაყოფა და 1970-თვის იყო დაახლ. 70 უნ-ტი. დიდი უმაღლესი სკოლები აკად. დონითა და სოც. პრესტიჟით უნ-ტებზე უფრო მაღლა დგას. აქ მოსახვედრად ლიცეუმის დამთავრების შემდეგ უნდა დაამთავრონ 2-წლიანი „დიდი სკოლების მოსამზადებელი კლასები“ (1983 — 25 ათ. მოსწ.). განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *კოლეჟ დე ფრანსს*.

სამეცნ.-კვლ. მუშაობის ხელმძღვ. ორგანოები ჩამოყალიბდა 1958. სამეცნ. დაწესებულებები დაჯგუფებულია სექტორებად: უმაღლესი სკოლის სექტორი, სახელმწ. სექტორი, კერძო საწარმოო და არაკომერც. სექტორები.

ს-ის უდიდესი ბ-კები პარიზშია: ეროვნ. ბ-კა (7 მლნ-ზე მეტი ტ.), ს-ის ინ-ტის ბ-კა (1,5 მლნ-ზე მეტი ტ.), სორბონის ბ-კა (1,8 მლნ-ზე მეტი ტ.); სხვა ქ-ების ბ-კებიდან უდიდესია სტრასბურის უნ-ტის ბ-კა (3 მლნ-ზე მეტი ტ.) და სხვ.

ს-ის უდიდესი მუზეუმები თავმოყრილია პარიზში: ლუვრის მუზეუმი, მიუზე-კარნავალე (პარიზის ისტ. და რევ. მუზეუმი), თანამედროვე ხელოვნ., როდენის, არმიის მუზეუმები, ბალზაკის, პიუგოს სახლ-მუზეუმები, ვ. ი. ლენინის ბინა-მუზეუმი და სხვ.

XI. ფილოსოფია

ფრანგ. ფილოსოფიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ს-ის კულტ. განვითარებაში. ფრანგ. ფილოს. ისტორიაში გამოიყოფა 6 პერიოდი: შუა საუკუნეები, აღორძინება, XVII ს. ფრანგ. ფილოსოფია, განმანათლებლობა და მატერიალიზმი XVIII ს-ში, ბურჟ. ფილოსოფია მარქსიზმის წარმოშობამდე, ფილოსოფია მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ.

ფრანგ. ფილოს. სათაყვანოთან დგანან ჰილარიუს პუატიელი (IV ს.) და კლოდ მამერტი (V ს.) ფილოსოფიით დაინტერესებამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო ე. წ კაროლინგური აღორძინების დროს. შუა საუკუნეებში ლაპარაკი გაიხდება არა ფრანგ. ფილოსოფიაზე, არამედ უფრო მეტად, ფილოსოფიაზე საფრანგეთში. ალკუინის, *იოანე სკოტუს ერიუგენას*, პ. ლაფარგის, ანსელმ კენტერბერიელის, ალბერტ დიდის (ალბერტ ფონ ბოლშტედტის) და თომა აკვინელის გარდა აქ მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე მოღვაწეობდა ევრ. სხვადასხვა ქვეყნიდან. საერთაშ. რეზონანსი მიიღო საფრანგეთში *ნომინალიზმისა* (მეთაური ი. როსცელინი) და *რეალიზმის* (გილიომ შამპოელი) დაპირისპირებამ. აქედან წარმოქმნილ პ. აბელარის *კონცეპტუალიზმს* დაუპირისპირდა სასტიკი ასკეტი და მისტიკოსი ბერნარ კლერვოელი. პარიზის უნტის თეოლ. ფაკ-ტის — სორბონის დაარსების (1253) შემდეგ აქაური ფილოსოფია დას. ევრ. ოფიც. აზროვნების კანონმდებელი გახდა. მას დაუპირისპირდნენ პარიზელი ავეროისტები (იხ. *ავეროიზმი*) სიგერ ბრაბანტელი, გილიომ სენტამურელი, პ. დიუბუა, ასევე ფრანგი ოკამისტები ჟ. ბურიდანი, ნიკოლა ორემი და სხვ. ისინი მატერიალ. და ბუნებისმეტნ. ტენდენციებს ავითარებდნენ, რამაც მოამზადა ფრანგ. რენესანსი.

აღორძინების პერიოდი საფრანგეთში XV—XVI სს. მოიცავს. მას იწყებენ ნიკოლოზ კუზანელის მოწაფეები ი. ფ. სტაპულენზისი და რ. აგრიკოლა. დიდი მნიშვნელობა აქვს პიერ დე ლა რამეს ბრძოლას სქოლასტიკის წინააღმდეგ და განსაკუთრებით მიშელ დე მონტენის სკეპტიციზმსა და თავისუფალ აზროვნებას, რ-მაც „მოამზადა XVIII ს. მატერიალიზმი“ (ენგელსი). ახ. ფილოს. კარიბჭესთან დგას პ. გასენდი, რ-იც იწყებს ტოტალურ ომს სქოლასტიზებული არისტოტელეს წინააღმდეგ და ეპიკურეს ასაღორძინებლად. ფილოს. ახ. ეტაპს ქმნის რ. დეკარტის პრინციპები ახ. მეცნ. მეთოდის შესახებ. რ. დეკარტის ფიზიკას, ჟ. ლოკის შემეცნების თეორიას და ბ. სპინოზას მოძღვრებას ემყარება XVIII ს. ფრანგ. განმანათლებლობა და მატერიალიზმი. მან წარმატებით გადალახა რ. დეკარტის იდეალისტი მემკვიდრეების — ოკაზიონალისტების მოძღვრება და კრიტიკულად აითვისა ბლეზ პასკალის წინააღმდეგობრივი მსოფლმხედველობა (ჟ. ბ. რობინე). ამ დროს ოფიც. რელიგიასთან ბრძოლა წარმატებით უკავშირდება აბსოლუტიზმის უარყოფას და სოც. რევ. აუცილებლობის დასაბუთებას (ჟ. ჟ. რუსო). აღსანიშნავია ვოლტერის, ჟ. ო. ლამეტრის, პ. ა. ჰოლბახის, ს. მარეშალის ათეიზმი. დიდმნიშვნელოვანია

ریاضیات ممتاز

۵۱۰۹ نمرهٔ ممتاز

სამხრეთი ამერიკა

გეოლოგიური რუკა

- Q — მეოთხეული სისტემა
- N-Q — ნეოგენური და მეოთხეული სისტემები
- N — ნეოგენური სისტემა
- პალეოგენური და ნეოგენური სისტემები
- პალეოგენური სისტემა
- ცარცული და პალეოგენური სისტემები
- J-K — იურული და ცარცული სისტემები
- ცარცული სისტემა
- ცარცული სისტემა (ზედა სექცია)
- ცარცული სისტემა (ქვედა სექცია)
- იურული სისტემა
- ტრიასული სისტემა
- პალეოზოური ჯგუფი (დაუნაწევრებელი)
- პერმული სისტემა
- კარბონული და პერმული სისტემები
- კარბონული სისტემა (შუა და ზედა სექციები)
- კარბონული სისტემა (ქვედა სექცია)
- დევონური სისტემა
- სილურული და დევონური სისტემები
- სილურული სისტემა
- ორდოვიკული სისტემა
- ორდოვიკული და სილურული სისტემები
- Є-O — კამბრიული და ორდოვიკული სისტემები
- ზედა კამბრიულ-წინა და პალეოზოური ნაკეცები
- PR₂₊₃ — შუა და ზედა პროტეროზოური ნაკეცები
- PR₃ — ზედა პროტეროზოური ნაკეცები
- ქვედა და შუა პროტეროზოური ნაკეცები
- შუა პროტეროზოური ნაკეცები
- PR₁ — ქვედა პროტეროზოური ნაკეცები
- AR+PR — არქეული და პროტეროზოური ჯგუფები
- არქეული მასივი
- გაბროიდული ინტრუზიები
- გრანიტოიდები
- გრაბენები
- ანდეზიტები და ბაზალტები
- რღვევები

ვაკეების ზონალური ნიადაგები

ეკვატორული და ტროპიკული სარტყლების ნიადაგები

- წითელი ფერის ნოთელუფიული ფერალითური, ძლიერ დაქაობებული
- სუსტად ნოგო ტუსა და სავანის წითელი ფერალითური
- ქვიშიანებული ტუსის ყავისფერ-წითელი
- გაუდაბნოებული სავანის წითელ მუქა
- უდაბნოს

სუბტროპიკული სარტყლის ნიადაგები

- ყვითელმიწა და წითელმიწა
- პარიის მინიმალი მავი
- მონითალი მავმინა
- ყავისფერი
- რუხ ყავისფერი
- რენდზინა
- ნაცრისფერ-ბაბნის მუქა

ზომიერი სარტყლის ნიადაგები

- ტყის ყომრალი
- მაყმინა
- ნაბლა
- ნახევარუდაბნოს მუქა

ატმოსფერული ნალექები წელიწადი

საშუალო ნალექების ზღვრული რაოდენობა მილიმეტრობით

ტემპერატურისა და ნალექების

°C


30
20
10
0
-10
-20

41

კალაბრი 930 მ
ბოგოტა 756 მ
მანაუსი 22 მ
ლიმა 128 მ
იმპერატრიცა 536 მ

- ჰაერის ტემპერატურა °C
- ნალექების რაოდენობა თვეების მიხედვით მილიმეტრობით
- 204. ნალექების ზღვრული რაოდენობა მილიმეტრობით

ნიადაგები



ინტრაზონალური ნიადაგები

ქარობის

მლაშობი

ბიყობი

მდელოსი და მდელო ტყის

ალუკური

მანგროვანისა

ღია ყავისფერი პლატოების მშრალი სტეპის მუქად ღორღიანი ნიადაგები

მთის ნიადაგები

მთა-მდელოსი

მთის მდელოსტეპისა და მაღალმთის სტეპის

მაღალმთის უდაბნოსი

ნიადაგწარმოქმნის ტიპის მიხედვით ვერც ნიადაგების ანალოგიური მთის ნიადაგები ჩარევნებია მესამამთის ფერით

დამატებითი აღნიშვნები

რუნოვანი ქვიშა და მაკრუები (ღატერიგები) ტროპიკულ ნიადაგებში

მოძრავი და ნახევრად დამაგრებული ქვიშები (უმთავრესად სანაპიროებისა)

ეკვატორული და ტროპიკული მცენარეულობა

მუდმივად ნოტიო მარადმწვანე ტყე (პილეა და სელვა)

ზომიერად ნოტიო და ცვალებად ნოტიო მარადმწვანე ტყე

სავანური და ქალის მარადმწვანე ტყე და დაქაოსებული ნათელი ტყე

მთის მუდმივად ნოტიო და ზომიერად ნოტიო ტყე მკაფიოდ გამოხატული სიმაღლებრივი სარტყლებრიობით

მშრალი ტყე და ნათელი ტყე; მათ შორის მთისაც

ქსეროპალოფიტური და ქალის ტყეები, ნათელი ტყე

მაღალბალახოვანი სავანა (ლიანოსი და სხვ.)

სავანები ქსეროფილური ბუჩქნარითა და ნათელი ტყით (კამპოს სერადოსი და სხვ.)

ჯუნგლები სავანა (კამპოს ლიმპოსი)

სკლეროფიტური და ქსეროფილური ნათელი ტყეები (კაატინგა და სხვ.)

სანაპირო უდაბნოები და ნახევარუდაბნოები

მთის ქსეროფილური დაბალი ბუჩქნარი ბალიმა მცენარეები, მდელოები (პარამოსი და სხვ.)

მთის სტეპი და ბუჩქნარი

მთის დაბალბუჩქოვანი ნახევარუდაბნო და უდაბნო (პუნა)

მანგროვანი



1:55 000 000

სამხრეთის ტროპიკებსგარეთ მცენარეულობა

ნოტიო მარადმწვანე ტყე

ზომიერად ნოტიო (არაუკარიის) ტყე

ქალის ტყე

მთის მშრალი ტყე და ნათელი ტყე

სუბტროპიკული მცენარეულობა

პარკული ტყე

სავანა მეზოფილური ბუჩქნარით

ნოტიო პამპა

მშრალი პამპა ქსეროფილური ბუჩქნარით

ბუჩქოვანი ნახეარუდაბნო (მონტე)

სუბანტარქტიკული მცენარეულობა

ფართეფოთლოვანი და შერეული ტყეები სამხრეთის ნოტიოსა და ნოტიოსებრით

მთის მუდმივად ნოტიო მარადმწვანე ტყე (ვალდივიელი)

მთის შერეული ტყე

მშრალი ტყე და ნათელი ტყე

პარცელოვნებიან ბუჩქოვანი სტეპი


ბუჩქოვანი ნახეარუდაბნო და უდაბნო

კრიოფილური მდელო ბალიმა მცენარეები და ჭაობი


ფსამოფილური მცენარეულობა და ქვიშები

ჰაერის ტემპერატურა

იანვარი



ივლისი




საშუალო თვიური ტემპერატურა °C

ყური დაბალი 0 8 16 24 ყური მაღალი

ჰაერის ტემპერატურა მოცემულია მიწის ზედაპირზე

1:91 000 000

ლობა



ԿՐԻՄԻ ԱՄԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՐԿԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԱԳԻՐ

1:33 000 000

Ազիմուտային պրոյեկցիա
Ստանդարտ զուգահեռ՝ 45° հս. լ.
Կենտրոնական միջօրեական՝ 34° 30′ ա. ե.

Ծանոթագրություն

1. Ադմինիստրատիվ սահմաններ
2. Գյուղեր
3. Ավտոճանապարհներ
4. Ամրոց
5. Կրոնական շինություններ
6. Ջրվեժներ (աստիճան)

Ռելիեֆի ստվերումներ

Ծովի խորությունների սանդղակ

Ծովի խորությունների միավորը մետրն է

1 Ալեքսեյ Ֆեդորովի կղզի
2 Ֆրանց Յոզեֆ Լենդ կղզիներ
3 Ալեքսանդրա կղզի
4 Ջորջ կղզի
5 Նորթբրուք կղզիներ
6 Ջեյմս Ռոս կղզի
7 Ալեքսանդրա կղզի
8 Ջորջ կղզի
9 Ալեքսանդրա կղզի
10 Ալեքսանդրա կղզի
11 Գալլովեյ կղզի
12 Ալեքսանդրա կղզի
13 Ալեքսանդրա կղզի
14 Կրոնական շինություններ
15 Ալեքսանդրա կղզի
16 Կրոնական շինություններ
17 Ամրոց
18 Ավտոճանապարհներ

Ալեքսանդրա կղզի
Ալեքսանդրա կղզի
Ալեքսանդրա կղզի

ლბახის ცდა მატერიის ცნების დასასთებლად. კ. ა. ჰელვეციუსის ძიება საზმი წარმოების როლისა და კლასების ზერესების მნიშვნელობის დასადგენად. პერიოდის ფრანგ. ფილოსოფია შორს ჯდა ს-ის საზღვრებს. რუს. გზით მან ართველოშიც შემოაღწია (დავით რექრი, *დავით ბატონიშვილი*, *იოანე ბაონიშვილი*, ალექსანდრე ამილახვარი). ფრანგი მატერიალისტების „სოციაისტურმა ტენდენციამ" (მარქსი) თავი ინა კ. ა. სენ-სიმონის, ფ. მ. შ. ფურიეს, რ. ენის ფილოსოფიაში. სენ-სიმონის იდეი ცალმხრივად განავითარა ო. კონტმა. რქსიზმის წარმოშობა ახ. ეპოქის დაწყისია ფრანგ. ფილოს. ისტორიაშიც. ოგრ. ფრანგ. ფილოს. განვითარებისა ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარქ მიერ პ. ჟ. პრუდონისა და ვ. კუზენის იტიკას. მომდევნო წლების ფრანგ. რჟ. ფილოსოფიაში გაიზარდა *ირაციონალიზმისა* და *ეკლუნტარიზმის* გავლენა, ილობდნენ ძვ. პრინციპების ახლებურ დაცვას ან ფრანგ. ნეოკანტიანელობის რენუვიე), ან. *კონვენციონალიზმის* უანკარე, პ. დიუემი), ან სიცოცხლის ლოს. საფუძველზე (ა. ბერგსონი). *ომიზმით* (ჟ. მარიტენი, ე. ჟილსონი) მოცოცხლდა კათოლ. ფილოსოფია, მაც გ. მარსელის მოძღვრების სახით ეგზისტენციალიზმშიც შეაღწია. II მსოფო ომის შემდეგ გავრცელდა *პერსონაზმი* (ე. მუნიე, ლ. ლაველი), რ-იც იდროდ არის დაკავშირებული *ანთროლოგიასა* და *ეგზისტენციალიზმთან* (ჟ. სარტრი, ა. კამიუ, მ. მერლო-პონტი). ანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ჟიარ დე შარდენის „სამყაროს ჰარმოული სინთეზის თეორია", რ-იც რელიგ. ტიმიზმისა და მეცნ. მონაცემების შეთების ცდას წარმოადგენს. მრავალი მორე პყავს სტრუქტურალიზმის ფილოსოას (მ. ფუკო, ლ. ალთიუსერი, ჟ. დერი). ზოგი სტრუქტურალისტი ცდილობს მოძღვრების შეზამებას მარქსიზმთან, ასვე ცდილობს ზოგი ეგზისტენციალისც (ჟ. პ. სარტრი).

ფრანგ. ფილოსოფიის პროგრ. ტრადიებს მარქსიზმის საფუძველზე ავითარებენ პ. ლაფარგი და ჟ. გედი. მ. ტორეზი ჟ. მარშე თანამიმდევრულად იცავდნენ რქსისტული ფილოსოფიის პრინციპებს. 63 შექმნილმა „მარქსიზმისა და მარქსტული ძიებების კვლევის ცენტრმა" დი სტიმული მისცა საურანგეთში მარქსტული იდეების დაცვასა და პროპაგანს. მისი ღრმა პრობლემების კონკრეტუად დამუშავებას.

ლიტ.: ბ ლ ა გ ი ძ ე კ., XVIII ს. ფრანლი მატერიალიზმის ისტორიის ზოგიერთი გითხი, თბ., 1977; გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე მ., ლოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; დ ი რ ო დ., ესთეტიკა, სოციოლოგია, ფილოფია, თბ., 1939. *გ. თევზაძე.*

XII. პერიოდული სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

ს-ში გამოდის 96-მდე დასახელების ველდღიური გაზეთი, რ-ის საერთო ტირაჟია 12 მლნ-ზე მეტი და 15 ათ-მდე სხვა პერიოდული გამოცემა. ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობას გამოსცემენ უდიესი საგაზეთო-საგამომცემლო კონცერნები. გავლენიანი გაზეთებია „ფრანს სუარ" („France-Soir", 1941-იდან, ტირაჟი 4 ათ.); „პარიზიენ ლიბერე" („Le arisien Libéré", 1944-იდან, ტირაჟი 8.3 ათ.); „ფიგარო" („Le Figaro", 26-იდან, ტირაჟი 414 ათ.); „ორორი" („L' Aurore", 1944-იდან, ტირაჟი 292 ათ.); „მონდი" („Le Monde", 1944-ან, ტირაჟი 450 ათ.) და სხვ.

საფრ. კომპარტიის გამოცემებია ყოველდღიური გაზ. „იუმანიტე" („L'Humanité", 1904-იდან, ტირაჟი 120 ათ.); უმანიტე დიმანში" („L' Humanité Dimanche", 1948-იდან, ტირაჟი 360 ათ.); ყოველკვირეული „ტერი" („La Terre", 1936-იდან, ტირაჟი 246 ათ.) და სხვ.


ს-ის საინფორმაციო სააგენტო „აუენს ფრანს-პრესი" დაარსდა 1944 პარიზში. ს-ის კომპარტიის საინფორმაციო სააგენტო „იუნიონ ფრანსეზ დ' ენფორმასიონი", დაარსდა 1948 პარიზში. ს-ის ეროვნ. რადიომაუწყებლობის კომპანია „სოსიეტე ნასიონალ დე რადიოდიფიუზიონი" და სატელევიზიო კომპანია „სოსიეტე ნასიონალ დე ტელევიზიონი" — დაარსდა 1975.

XIII. ლიტერატურა


ფრანგ. ფოლკლორი თავისებური მემკვიდრეა კელტური ჭ.პირსიტყვიერებისა. თავის მხრივ იგი (ფრანგ. ხალხ. სიმღერები, ზღაპრები და სხვ.) ჯერ კიდევ IX ს-იდან ასაზრდოებს ფრანგ. მხატვრულ ლიტ-რას, ვითარდება მის პარალელურად, ცოცხლად ეხმაურება ფრანგი ხალხის ცხოვრებაში მოხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.

VI—VIII სს-ში რომაელების მიერ დაპყრობილ გალიაში რელიგ. და საკარო ლიტრა ლათ. ენაზე იქმნებოდა. 842 შარლ დიდის ეაჟების მიერ სტრასბურში დადებული და ჩაწერილი ფიცი მიჩნეულია ფრანგ. ენაზე შექმნილ პირველ ძეგლად. პირველი ლიტ. ტექსტი „კანტილენა წმინდა ეულალიაზე" (881—882) ფრანგულად გამართეს სენტ-ამანის ბერებმა; მას მოჰყვა სხვა მრავალი პაგიოგრაფიული ძეგლი. X ს-ში ჩამოყალიბდა *ჟონგლიორების* ტრადიცია, გავრცელდა პოემები რთულ ციკლებად, რ-თა შორის ყველაზე პოპულარული იყო შარლ დიდთან (კარლოს დიდთან) დაკავშირებული პოემები. ამ ციკლებიდან მნიშვნელოვანია *„როლანდის სიმღერა"*. XII—XIV სს-ში ჩამოყალიბდა ახ. ლიტ. ჟანრები და ფორმები: ლიტურგიკული დრამა, ვაგანტების, გოლიარდებისა და ტრუვერების ლირიკა, ფაბლიო, კურტუაზული რომანი, ქრონიკები. პირველი რომანები იყო ანტ., ისტ., თქმულებებისა და ეპოპეების გადამუშაებული ვარიანტები („ალექსანდრეს რომანი", „ტროის რომანი" და სხვ.). XII ს. შუა წლებში გავრცელდა *ართურის ლეგენდები*, რ-ებიც საფუძვლად დაედო „ბრეტონული ციკლის" ანუ „მრგვალი მაგიდის" რომანებს. კელტური ხალხ. თქმულებების საფუძველზე უნდა წარმოქმნილიყო *„ტრისტანისა და იზოლდას"* ლეგენდაც. ართურის ლეგენდები პირველად დაამუშავა *კრეტიენ დე ტრუა*. XII ს. დასასრულიდან იქმნებოდა აგრეთვე სარაინდო და სხვა სათავგადასავლო რომანები („ფლუარ და ბლანშეფლერი", დაახლ. 1170, *„ოკასენ და ნიკოლეტი"*, XIII ს. დასაწყ.). მთელ რიგ რომანებში ამუშავებდნენ საეკლ. ლეგენდებს. ამავე საუკუნეში ჩაისახა დრამატურგიაც. დაახლ. 1160 შეიქმნა პირველი ფრანგ. პიესები „ადამის თამაშობა" და „აღდგომის თამაშობა". XIII ს. დასაწყისში გამოჩნდა „მირაკლები" ანუ „სასწაულები". რელიგ. თეატრი ძირითადად ამუშავებდა ბიბლ. სიუჟეტებს. ამასთან ერთად ჩაისახა საერო თეატრიც, გაჩნდა სახ. კომედიის ჟანრი, ხოლო შუა საუკ. მიწურულს — ფარსი და „სოტი". კომ. თეატრს სათავე დაუდო *ადან დე ლა ალმა*. საფუძველი ჩაეყარა ისტორიოგრაფიას. XIII ს-ში ვითარდებოდა კურტუაზული რომანი და ნოველა — ლე. იმავე საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლებია *„ვარდის რომანი"* და *„მელას რომანი"*. ამ ეტაპზე გამოირჩევა პოეტ *რიუტებეფის* სატირული შემოქმედება. XIV ს. და XV ს. I ნახ-ში ანუ გვიანდ. შუა საუკ. ლიტ-რაში აღებეჭდილია ასწლიანი ომის მძიმე ვითარება, რამაც დააბრკოლა პუმანიზმის განვითარება ს-ში. მრავალ ნაწარმოებში გამოიხატა ფეოდ. მსოფლმხედველობის რღვევა. ახ. ჰუმანური იდეალების კენ სწრაფვა, ჩანს წინარენესანსული ნიშნები. შუა საუკ. ლირიკა დააგვირგვინა ფ. *ვიიონის* შემოქმედებამ. მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა დრამატურგია, გამოიკვეთა მონუმ.-დრამ. წარმოდგენის— მისტერიის ჟანრი, ვითარდებოდა მორალიტე და ფარსი. ამ ეტაპზე გამოირჩევა კრებ. *„ასი ახალი ნოველა"*. XV ს. II ნახ. ადრინდ. რენესანსის პერიოდია, რ-იც შეაფერხა პუგენოტებისა და კათოლიკეების რელიგ. ომებმა.

ფრანგ. რენესანსის უდიდესი წარმომადგენელია ფ. *რაბლე*, რ-მაც იმ დროის თავისებურ ენციკლოპედიაში „გარგანტუასა და პანტაგრუელში" მოახდინა საზ. ცხოვრების ყოველმხრივი სინთეზი, უდიდესი გავლენა იქონია ეპოქის ლიტ-რაზე, გაამდიდრა იგი იდეურად, ხელი შეუწყო პრობის ახ. ფორმების — ფილოს., აღმზრდელობითი, პიკარესკული რომანის, მოგზაურობის ჟანრის, სატირის სხვადასხვა სახეობის განვითარებას. XVI ს. შუა წლებში ფრანგ. პოეზიისა და დრამის რეფორმა დაისახა მიზნად პოეტთა ერთმა ჯგუფმა, ე. წ. *პლეადამ*, რ-მაც დიდად შეუწყო ხელი ეროვნ. სალიტ. ენის ჩამოყალიბებას, გაამდიდრა პოეზია ახ. ფორმებით (სონეტი, ოდა, ბუკოლიკა, ეპიკური პოემა და სხვ.). აღორძინების ხანის ფრანგ. პოეზიის დაგვირგვინება იყო პ. დე *რონსარის* შემოქმედება. გვიანი რენესანსის ლიტრა (1575—98) ვითარდებოდა სამოქალაქო ომის, კონტრრეფორმაციისა და რენესანსული იდეალების კრიზისის პირობებში. თანდათან გამოიკვეთა კლასიციზმის ნიშნები. აღორძინების ტრადიციებს იცავდა მ. დე *მონტენი*. XVII ს. ფრანგ. ლიტ-რა მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანი იყო. მნიშვნელოვანია *ბაროკოს* მიმდინარეობა. მარკიზა დე რამბუიეს სალონი (დაახლ. 1608) გახდა *პრეციოზული ლიტერატურის* ცენტრი. ამ უკანასკნელს დაუპირისპირდა ბურლესკური ლიტერატურა. XVII ს. ლიტ-რაში ეროვნ. მხატვრულ სტილად ჩამოყალიბდა *კლასიციზმი*, რ-ის ფილოს. საფუძველი იყო დეკარტის რაციონალიზმი, ხოლო დასრულებული ესთეტ.-თეორ. გამოხატულება—ნ. *ბუალოს* „პოეტური ხელოვნება". კლასიციზმის პოეტიკას დასაბამი მისცა ფ. *მალერბმა*, რ-მაც მოახდინა ენისა და ლექსის რეფორმა. ფრანგ. კლასიციზმური დრამის სათავედ არის მიჩნეული პ. *კორნელის* ტრაგედია „სიდი" (1637). კლასიციზმის მეორე ეტაპი დაკავშირებულია ჟ. *რასინის* შემოქმედებასთან; ამავე პერიოდში მოღვაწეობდა *მოლიერი*, რ-იც მიჰყვებოდა კლასიციზმის მხატვრულ მეთოდს, თუმცა ხშირად მის ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. ამ ეტაპზე გამოირჩეოდა ჟ. *ლაფონტენის* შემოქმედება, რ-იც სათავეს იღებს ხალხ. წყაროებიდან. პოპულარობა მოიპოვა ეპისტოლარულმა სტილმა და მემუარულმა ლიტ-რამ. დიდი მოვლენა იყო ბ. *პასკალის* მოღვაწეობა. XVII ს. ბოლო 10 წელიწადში უკვე შეინიშნებოდა კლასიციზმის კრიზისი, რ-იც ნათლად გაჩოჩნდა პოლემიკაში „ძველებსა და ახლებს", კერძოდ, ნ. ბუალოსა და შ. *პეროს* შორის, პერომ უგულებელყო კლასიციზმის კანონები და ფოლკლორსა და ხალხ. ზღაპარს მიუბრუნდა. კლასიციზმის წიაღში გაჩნდა წინააღმდეგობები, წარმოიშვა კრიტ. და რეალისტური საწყისები. ფ. *ფენელონის* რომანმა „ტელემაქეს თავგადასავალი" (1699) ნიადაგი მოუმზადა XVIII ს. ფილოს. რომანს. XVIII ს. — დიდი ისტ. ძვრების ეპოქა — მწერლობაში ცნობილია განმანათლებლობის ხანად. საუკუნის დასაწყისშივე კლასიციზმმა დაკარგა თავისი საზ. შინაარსი და გადაიქცა ეპიგონურ მიმდინარეობად. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მიმდინარეობა იყო *როკოკო*. მას დაუპირისპირდა განმანათლებლური ლიტ-რა, რ-ის მძლავრ მეცნ. საყრდენად იქცა დ. *დიდროს* თაოსნობით და რედაქციით წა-



საფრანგეთი. სენ-მაკლუს ეკლესია. 1434—70. რუანი.



კარიზი. ჭალაქის ხედი დე გოლის მოედნიდან. მეორე პლანზე—ელისეს მინდვრები და მისი მომიჯნავე რაიონები.

მოწყებული გამოცემა *ენციკლოპედია*. გამოცემაში მონაწილეობდა *ვოლტერიც*, რ-მაც შექმნა ე. წ. განმანათლებლური ტრაგედიის ჟანრი, ახ. განმან. კლასიციზმი. გარდატეხა მოხდა კომედიის ჟანრშიც, გაძლიერდა ყოფითი რეალიზმი. 50-იან წლებში დამკვიდრდა ე. წ. მეშჩანური დრამა, რ-იც შემდეგ განავითარეს პ. ო. *ბომარშემ*, ლ. ს. *მერსიემ* და სხვ. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა რომანმა. ფრანგ. განმან. რომანი ადრე დაკავშირებული იყო პიკარესკული რომანის ტრადიციებთან (*ლესაჟის* „სანტილიანელი ჟილ ბლაზი"); შემდეგ ერთმანეთს შეერწყა პიკარესკული და ფსიქოლ. რომანი (ა. ფ. *პრევო* „კავალერ დე გრიეს და მანონ ლესკოს ამბავი", *მარივოს* „მარიანას ცხოვრება" და სხვ.). საუკუნის წამყვანი ჟანრი გახდა ფილოს. პროზა (რომანი, მოთხრობები), რ-საც სათავე დაუდო *მონტესკიემ* („სპარსული წერილები", 1721) და რ-მაც უმაღლეს განვითარებას მიაღწია ვოლტერის მოთხრობებში „კანდიდი...", „ზადიგი...". XVIII ს. II ნახევარში წარმოიშვა სანტიმენტალიზმი, რ-ის მკაფიო ილუსტრაციაა ჟ. ჟ. რუსოს „ახალი ელოიზა" და „აღსარება". საუკუნის დასასრულს, ს-ის დიდი რევ. პერიოდში, გავრცელდა რევ. კლასიციზმი; დრამატურგიაში იგი წარმოსდგა მ. ჟ. *შენიეს* ტრაგედიებით; პოეზიაში გავრცელდა ოდებისა და ჰიმნების ორატორულ-დეკლამაციური სტილი. ამ დროს შეიქმნა რუჟე დე ლილის „მარსელიეზა".

XIX ს. ლიტ-რის ხასიათი მკვეთრად განაპირობა საფრ. დიდმა რევოლუციამ. წამყვანი მიმდინარეობა გახდა რომანტიზმი. პირველ ეტაპზე რომანტიზმი რევ. გამოძახილი იყო; კონსერვატიული რომანტიზმი გამოხატავდა „მსოფლიო სევდის" განწყობილებას. მისი იდეოლოგები იყვნენ ჟ. დე მესტრი, ფ. რ. დე *შატობრიანი* და სხვ. მათ დაუპირისპირდნენ მწერლები, რ-ებიც აღიარებდნენ რევოლუციის ისტ. მნიშვნელობას (ჟ. დე *სტალი* იცავდა ისტ. პროგრესის იდეას). ფრანგ. რომანტიზმის II ეტაპი ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა ვ. *ჰიუგოს* შემოქმედებაში, რ-ის დრამის „ერნანის" დადგმის შემდეგ დაიწყო რომანტ. დრამატურგიის აღმავლობა. რომანტ. პროზის განვითარებაში წვლილი შეიტანეს ჟ. *სანდმა*, ვ. ჰიუგომ, ა. დე მიუსემ, ა. დე ვინიმ, ა. დიუმამ (მამა) და სხვ. ფორმისა და სტილის სრულყოფის პროცესში საინტერესო სიახლეები შეჰქონდათ თ. *გოტიეს*, ჟ. დე *ნერვალს*. ამავე საუკუნის 10-იან წლებში ჟანრდებოდა რეალისტური მხატვრული მეთოდი, რ-მაც მწვერვალს მიაღწია *სტენდალისა* და ო. დე *ბალზაკის* შემოქმედებაში; ამ მწერლებმა დიდი როლი ითამაშეს მთელი დას.-ევრ. კრიტ. რეალიზმის განვითარებაში. ფრანგ. რეალისტური ნოველის უდიდესი ოსტატია პ. *მერიმე*. 40—50-იან წლებში ფრანგ. ლიტ-რაში შეიმჩნევა იდეურ-ესთეტ. წინააღმდეგობათა გამწვავება. ამ ეტაპზე მოღვაწეობდნენ ძმები *გონკურები*, რ-თა შემოქმედებამ სათავე მისცა ნატურალიზმს ფრანგ. ლიტ-რაში. არსებითად კრიტ. რეალიზმის პოზიციებზე იდგა გ. *ფლობერი*, რ-იც ქადაგებდა ობიექტური შემოქმედების პრინციპს. პოეტებმა შ. *ლეკონტ დე ლილმა*, ტ. დე *ბანვილმა*, *სიული-პრიუდომმა*, ფ. *კოპემ* და სხვ. შექმნეს მიმდინარეობა „*პარნასი*", რ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი გახდა ჟ. მ. დე *ერედია*; შ. *ბოდლერის* პოეზიამ არსებითი გავლენა ნოახლინა სიმბოლიზმის ჩამოყალიბებაზე. ახ. გამომსახველობითი საშუალებები გამოვლინდა *ლოტრეამონის* შემოქმედებაში. 60-იანი წწ. მიწურულს გამოჩნდა მწერალი-კომუნარი ჟ. *ვალესი*. ე. *ზოლას* შემოქმედება შეიცავს კრიტ. რეალიზმისა და ნატურალიზმის ნიშნებს; დემოკრ. მკითხველებს შორის პოპულარობა მოიპოვა *ერკმან-შატრიანის* რომანებმა. ასევე პოპულ. იყო ჟ. *ვერნის* სათავგადასავლო-ფანტასტ. რომანები.

ფრანგ. ლიტმცოდნეობაში კულტ.-ისტ. მიმართულების ფუძემდებელი იყო ი. *ტენი*. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა „პარიზის კომუნის ლიტერატურის" შექმნა. ამ ეტაპზე დაიწერა ე. ზოლას რომანების სერია „რუგონ-მაკარები", რ-შიც გაშლილია ფართო სოც. პანორამა; ე. ზოლა ამავე დროს ნატურალიზმის თეორეტიკოსიც იყო. ეპოქის მრავალმხრივი ცხოვრება ასახა თავის მოთხრობებში გი დე *მოპასანმა*. ამ დროს მოღვაწეობდა ა. *დოდეც*, რ-მაც შექმნა სატირული პროზისა და ეროვნ. ტრადიციების ამსახველი ნაწარმოებები. აღსანიშნავია ო. *მირბოს*, ჟ. *რენარის* შემოქმედება. XIX ს-ში ერთ-ერთი წამყვანი მიმდინარეობა პოეზიაში იყო სიმბოლიზმი. ფრანგ. პოეზიის განვითარებაში სიახლეთა ძიებისა და დადგენის თვალსაზრისით დიდი წვლილი შეიტანეს პ. *ვერლენმა*, ა. *რემბომ* და სხვ. სიმბოლიზმის მამამთავარი იყო ს. *მალარმე*, თეორეტიკოსი — ჟ. *მორეასი* („სიმბოლიზმის მანიფესტი", 1886), ცნობილი სიმბოლისტები — ა. დე *რენიე*, ჟ. ლაფორგი, რ. დე *გურმონი* და სხვ. XIX—XX სს. მიჯნაზე სიმბოლიზმში გაჩნდა წინააღმდეგობანი, რამაც იგი კრიზისამდე მიიყვანა და ხელი შეუწყო მის ცალკეულ ჯგუფებად დაშლას. XIX ს. დასასრ. ლიტ-რაში არსებობდა იდეურად სხვადასხვაგვარი მიმართულებები, სკოლები და მიმდინარეობები. გაღრმავდა დეკადანსის გავლენა. ამ პერიოდის უდიდესმა მწერლებმა ა. *ფრანსმა* და რ. *როლანმა* აღორძინეს რეალისტური ფილოს. რომანის ტრადიციები, შექმნეს ინტელექტუალური პროზის ნოვატორული ნიმუშები. 1906 დაარსდა ლიტ. ჯგუფი „საბატო", რ-შიც გაერთიანდნენ შ. *ვილდრაკი*, ჟ. *დიუამელი* და სხვ. მოგვიანებით მათ შეუერთდა ჟ. *რომენი*, რ-იც უწანიმიზმის თეორეტიკოსი გახდა. „ახალი ფრანგული ჟურნალის" გარშემო, რ-საც სათავეში ედგნენ ა. *ჟიდი* და პ. *კლოდელი* დაჯგუფდნენ მწერლები, რ-ებიც შორი იდგნენ იმ დროის მოწინავე იდეებისგა და გატაცებული იყვნენ ახ. ფორმების ძი ბით. თანამედროვე ფრანგ. პოეზიის მამ მთავრად მიიჩნევენ გ. *აპოლინერს*, რ-მა კუბიზმისა და ხელოვნ. სხვა მიმართულ ბათა გამოცდილება გაიზიარა. I მსოფ ლიო ომმა (1914—18) დიდი გავლენა მო ახდინა ფრანგ. ინტელიგენციაზე და ს ერთად მწერლობაზე; გაჩნდა შოვინისტ რი განწყობილებანი (ჟ. მორეასი, მ. ბ *რესი*). მოწინავე პოზიციებზე იდგნენ *ბარბიუსი*, რ-ის რომანი „ცეცხლი" (1916 სოციალ. რეალიზმის პირველ ნაწარმო ბადაა მიჩნეული დას. ევრ. ქვეყნების ლიტ რაში, პ. *ვაიან-კუტიურიე* და სხვ. 19 ბარბიუსის თაოსნობით შეიქმნა საერთა ჯგ. „კლარტე", რ-შიც შევიდნენ სხვად სხვა პოლიტ. და ესთეტ. რწმენის პაციფი ტი მწერლები — ა. ფრანსი, ჟ. დიუამ ელი, ჟ. რომენი, შ. ვილდრაკი და სხვ. ეტაპზე დაიწყო თავისი მრავალტომიან რომანის „დაკარგული დროის ძიებაში გამოქვეყნება მ. *პრუსტმა*, რ-მაც დიდი გა ლენა მოახდინა მოდერნისტული ლიტ-რა განვითარებაზე. 20-იანი წწ. ფრანგ. პოეზ ისა და დრამატურგიის გამოჩენილი წარ მომადგენლები იყვნენ პ. *ვალერი*, ჟ. *ჟ როდუ*; ექსპერ. ძიებების ტიპური წარმო მადგენელია ჟ. *კოქტო*. ამ პერიოდში წარმოიშვა *დადაიზმი*, რ-საც სათავეში ედგნენ ტ. *ცარა* და ფ. პიკაბია; პოეტ სიურრეალისტებმა ა. *ბრეტონმა*, ლ. არ *გონმა*, ფ. სუპომ, პ. *ელიუარმა* და სხვ შექმნეს ავანგარდისტული მიმდინარეობ ფრანგ. პოეზიაში. ამ პერიოდის გამოჩენი ლი პოეტები იყვნენ პ. *რევერდი*, რ. შ რი, რ. *დესნოსი*, ჟ. *პრევერი* და სხვ კრიტ. რეალიზმისა და სოც. სინა მადგენელმა ა. *მორუამ* შექმნა ბიოგრ. რო მანის ბრწყინვალე ნიმუშები. ნატურალი მის ელემენტები ახასიათებდა პოპულიზმ ლიტ-რას და მწერლებს, რ-ებიც შედიოდნ ჯგუფში „პროლეტარული ლიტერატურა 30-იან წლებში გამოჩნდნენ რეაქციონერ მწერლები ა. დე *მონთერლანი*, ლ. *სელინ* და სხვ. მოწინავე მწერლებს აერთიანებ ჟურნ. „კომმიუნი" („La Commune"), რ-ს გამოსცემდა „რევოლუციურ მწერალთა მხატვართა ასოციაცია" (ა. ბარბიუსი, ლ არაგონი, პ. ვაიან-კუტიურიე, ჟ. რ. ბლო კი). რეალისტური მეთოდი და სოც. სინა დვილის ფართოდ გაშუქება სცადა თავი ნაწარმოებებში რ. *მარტენ დიუ გარმა*.

II მსოფლიო ომის დროს (1939—45 ს-ის ოკუპაციის პერიოდში ლიტ-რა ვ თარდებოდა ძირითადად იატაკქვეშ ფართოდ გაიშალა წინააღმდეგობის მო რაობა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პ. *სარტრის* („ბუზები") და ჟ. *ანუის* („ა ტიგონე") პიესების დადგმა ოკუპირებულ პარიზში. ღრმად ჰუმანური ნაწარმოებ ბი შექმნა ა. *სენტ-ეგზიუპერიმ*. ომის პ რიოდისა და ოკუპაციის ტრაგიკულმა მო ლენებმა გააღრმავეს პესიმისტური განწყო ბილებანი ეგზისტენციალისტ მწერალ ნაწარმოებებში (ჟ. პ. სარტრი, ს. დე *ბ ვუარი*, ა. *კამიუ*, გ. ო. *მარსელი* და სხვ. ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიას უკ ლოვდება ა. *მალროს* შემოქმედება. 50-ი წლებში გამოვიდნენ ლიტ. სარბიელ „აბსურდის თეატრის" წარმომადგენლებ ე. *იონესკო*, ს. *ბეკეტი*, შეიქმნა „ანტით ატრი" და „ანტიდრამა". მათს შემოქმ დებაში კიდევ უფრო გაღრმავდა გამო ვალი მდგომარეობის მოტივები. წარმო შვა „ახალი რომანი" (ნ. *საროტი*, ა. რო *გრიე*, მ. *ბიუტორი* და სხვ.). ამავე დრო მნიშვნელოვან რეალისტურ ნაწარმოებებ ქმნიდნენ და ახ. მხატვრული გამომსახვ ლობითი ფორმების ძიებასთან ერთა სოც. და ფილოს. პრობლემატიკას აღრმ ვებდნენ ლ. არაგონი, ე. *ტრიოლე*, ა. *ლ ნუ*, *ვერკორი*, ფ. *მორიაკი*, მ. *დრიუონ*

ერია, ა. ტრუაია; ფ. საგანის შემოქმე-
ა. განცალკევებით დგას ლიტ. სკოლე-
გან. საინტერესო დეტექტური ჟანრის
არმოებებს წერს ჟ. სიმენონი. 60—70-
წლებში მნიშვნელოვანია სტრუქტუ-
ლიზმის მიმართულება. თანამედროვე
ანგ. ლიტ-რა ვითარდება სხვადასხვა
ურ და ესთეტ. მიმდინარეობათა მეტად
ულ ბრძოლაში, რ-ზეც დიდმნიშვნე-
ვან ზემოქმედებას ახდენს პროგრ.
რლობა, კერძოდ, სოციალ. რეალიზმი.
ლიტ: Анисимов И. И., Французская классика со времен Рабле до Р. Ролана, М., 1977; История французской литературы, т. 1—4, М.—Л., 1946—63; Ломиевский Д. Д., Французский классицизм, М., 1968; Дьяконов, Французский символизм, М., 1973; Шишкарев В. Ф., Избранные статьи, т. М—Л., 1965; Шкунаева И. Д., Современная французская литература, М., 31.

გ. ბუაჩიძე.

XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ა-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხე-
ოვნ. უძველესი ძეგლები პალეოლითის
ეპასკო, ლა-მადლენი), ნეოლითის, ბრინ-
ოსა (კარნაკის მეგალითური ნაგებო-
ბი) და რკინის ხანას (ჰალშტატის კულ-
ტურა, ლატენის კულტურა) განეკუთვნება.
ძვ. წ. VI ს. დასაწყისში სამხრ. ს-ის
ეთის სანაპიროზე დაარსდა ბერძნ. კო-
ონიები, რამაც არსებითი ზეგავლენა
ონია კელტების კულტურაზე. რომა-
თაგან დაპყრობის შემდეგ კელტების
ალების) ქ-ებში ვითარდებოდა გალურ-
მაკლი ხელოვნება (აშენებდნენ ქვის
ღესიებს, თეატრებს, აკვედუკებს და
.). V ს-იდან დაიწყო შუა საუკ. ხელოვნ.
ვითარება (იხ. *მეროვინგული ხელოვნება*).
. VIII—IX სს-ში განვითარდა ე. წ. „კა-
ლინგური აღორძინება", რ-ის ტრადიცი-
ს საფუძვლად დაედო *რომანული სტილის*
—XII სს.). ამ პერიოდში შეიქმნა 1—2-
რთულიანი სახლებით განაშენიანებული
ბი. ფეოდალთა საცხოვრებელი გამაგრე-
ლ, დონჟონებიან ციხე-დარბაზს ან ცი-
ომაგრეს (კარკასონი) წარმოადგენდა.
ჭყვანი ადგილი ეჭირა საკულტო ხუროთ-
ძღვრებას (ტაძრები, მონასტრები). შე-
ქმნა ტაძრის დამახასიათებელი ტიპი (ლა-
ინური ჯვრის ფორმა, კამარა, დას. ფასად-
ე აღმართული 2 კოშკი, შუაჯვარედნზე 1
აწახნაგა კოშკი). ამ ხანას მიეკუთვნება
ბრები აკვიტანიაში (სენ-ფრონი პერიგე-
, 1120 შეძლეგ), პროვანსში (სენ-ტროფი-
არლში, VIII—XV სს.) და სხვ. ტაძრებს
ვად ამკობდნენ კვეთილი დეკორით, მო-
მ. ქანდაკებით (ნოტრ-დამ-ლა-გრანი პუ-
ეში, XI—XVI სს.) და სხვ. განვითარდა
კორ.-გამოყენებითი ხელოვნება (ლიმო-
ს მინანქარი, ქარგვა, ხალიჩების ქსოვა
სხვ.). XII ს-ში რომანული ხელოვნება
დ. ს-ში შეცვალა *გოტიკამ*. ამ პერიოდ-
ქ-ების განაშენიანება მიმდინარეობდა
ულარული გეგმით. ჩამოყალიბდა გო-
კური ტაძრის ტიპი — 3—5-ნავიანი ბა-
ლიკა, რ-საც ჰქონდა ტრანსეპტი, კაპე-
ები, პატრონიკეები, მაღალი და ვრცელი
ტერიერი, ფასადზე აღმართული 2 კოშ-
და ვარდულები პორტალების თავზე
ენ-დენის სააბატოს ეკლესია, 1137—
; ტაძრები სანსში, დაახლ. 1140; *პარი-
ს ღვთისმშობლის ტაძარი* და სხვ.).
მწიფებული გოტიკის ხანაში აშენებდნენ
ნდაკებით უხვად შემკულ ტაძრებს რეიმს-
, ამიენში, პარიზში (სენტ-შაპელის სამ-
ლოცველო, 1243—48). XIII ს. დასასრ.—
IV ს. დასაწყისში გავრცელდა ე. წ. „ალი-
ბრი გოტიკის სტილი" (სენ-მაკლუს ეკ-
ესია რუანში, 1434—70). ციხე-დარბაზე-
თანდათან მდიდრულად მორთულ სასახ-
ებად (პაპის სასახლე ავინიონში) იქცა.
V ს-ში შეიქმნა მდიდრული ქალაქური
ხლის (ტელი) ტიპი. ს-ის გოტიკურ
ნდაკებაში გადმოცემულია ადამიანის
ფიზ. სილამაზე, განცდები (პარიზის
ღვთისმშობლის ტაძრის დას. პორტალის
ქანდაკება, დაახლ. 1165—1225). XIII ს-
ის ქანდაკება ხასიათდება მანერულობით
(სტრასბურის ტაძრის ფასადი). XII ს-ში
ქანდაკებას იშვიათად იყენებდნენ, სამა-
გიეროდ ინტერიერში გაჩნდა ფერწერა,
ჩის გაფერადებული ქანდაკებით შემკული
საკურთხეველები, ვიტრაჟი. განვითარდა
მინიატურა, ნიდერ. და იტალ. ხელოვნ.
გავლენით ვითარდება დაზგური ფერწერა
(ძმები ლიმბურგების შემოქმედება).

XV ს. II ნახევარში თავი იჩინა ფრანგ.
რენესანსის სტილმა. აქ გოტიკის კონსტ-
რუქციები შეხამებულია მსუბუქ, მოხდენილ
დეკორთან (ამბუაზის ციხე-დარბაზი,
1492—98 და სხვ.). მოწვეული იტალ. ოს-
ტატების (მ. შ. ლეონარდო და ვინჩი)
გვერდით მუშაობდნენ ფრანგი არქიტექტო-
რები (ფ. დელორმი, პ. ლესკო, ჟ. ა. დიუ-
სერსო), შეიქმნა ეროვნ. ხუროთმოძღვრე-
ბის ნიმუშები (ფრანსუა II-ის ფრთა ბლუ-
ის ციხე-დარბაზში და სხვ.), აშენდა დეკო-
რით უხვად შემკული სახლები, რატუშის
შენობები, სასახლეები (ფონტენბლო).
მომწიფებული აღორძინების ხანის დი-
დებული ნიმუშია *ლუვრის* შენობა
(არქიტ. პ. ლესკო, მოქანდაკე ჟ. გუჯონი)
პარიზში.

XV ს-ში სხვ. ხელოვნ. რამდენიმე ად-
გილ. სკოლა არსებობდა, მ. შ. იყო ლუარის
სკოლა, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა ფრანგ.
ადრინდ. აღორძინების ხანის საერო ხასიათ-
ის კულტურას (ჟ. ფუკე). ქანდაკებაში
აღსანიშნავია მ. კოლომბის შემოქმედება.
XVI ს-ში მხატვრული კულტ. ცენტრად იქცა
სამეფო კარი, რ-იც თავის მხრივ ხელს
უწყობდა მანიერიზმის განვითარებას
(ფონტენბლოს I და II სკოლები, 1530—
40-იანი წწ.), შეიქმნა პორტრეტული ფერ-
წერა (ჟ. კლუე უმცროსი და სხვ.), მოქან-
დაკეთაგან აღსანიშნავი არიან ჟ. გუჯონი,
ჟ. პილონი. XVII ს-ში შექმნილმა ფერწე-
რისა და ქანდაკების (1648), აგრეთვე არ-
ქიტ. (1671) სამეფო აკადემიებმა შეიმუ-
შავეს აბსოლ. მონარქიის ე. წ. „ დიდი სტი-
ლი". ამ ხანებში აშენდა კლასიციზმის
სტილის ანსამბლები, მეფეთა და დიდებულ-
თა რეზიდენციები, ბურჟ. წარმომადგენელ-
თა საკუთარი სახლები. პარიზში გაშენდა
დოფინის (1607), ვოგეზების (1606—12),
გამარჯვებათა (1685—86) და სხვ. მოედ-
ნები, აშენდა სასახლეები (პალე-რუაიალი, 1629—36, არქიტ. ჟ. ლემერსიე), ლუ-
ვრის აღმ. ფასადი (არქიტ. კ. პერო),
სატრიუმფო თაღები ხიდები. ქალაქ-
გარეთ მდებარე ციხე-დარბაზები გადა-
კეთდა სასახლეთა კომპლექსებად (ვერ-
სალი). ოფიც. ფერწერის წამყვანი მხატვა-
რი იყო ს. ვუე. XVII ს. I მესამედში ოფიც.
ფერწერასთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა
რეალური ყოფის ამსახველი ფერწერა
(ვალანტენის პლებეური ჟანრი, ლ. ლენენის
მიერ შესრულებული უბრალო ადამიანე-
ბის პორტრეტები). XVII ს. II მესამედის
ფერწერაში გაბატონებულია კლასიციზმი
(წამყვანი ფერმწერი ნ. პუსენი). XVII ს.
შუა წლების „დიდი სტილის" წამყვანი
ხელოვანი იყო შ. ლებრენი. განვითარდა
პორტრეტის ხელოვნ., გრავიურა, ქანდაკე-
ბა (ფ. ჟირარდონი და სხვ.). განვითარების
მაღალ დონეს მიაღწია დეკორ.-გამოყენე-
ბითმა ხელოვნებამ (ა. შ. ბულის ავეჯი,
საიუველირო ნაკეთობანი). XVIII ს. I
ნახევარში დაიწყო „დიდი სტილის" დაშლა.

XVIII ს. შუა წლებში ქალაქთმშენებ-
ლობაში შეიქმნა ახ., სხივისებრ განლაგე-
ბული ქუჩები, დიდებული მოედნები. დაგეგ-
მარებამ საზეიმო ხასიათი მიიღო. XVIII
ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა განმანათ-
ლებლური კლასიციზმის მიმართულება,
აშენდა სენტ-ჟენევიევის ეკლესია, ახლანდ.
პანთეონი პარიზში (არქიტ. ჟ. ჟ. სუფლო,
და სხვ.), თეატრები, საზ. შენობები და
სხვ.

სახვ. ხელოვნებაში XVIII ს. ხელოვნე-
ბისათვის დამახასიათებელმა ტენდენციებ-
მა თავი იჩინა ა. ვატოს შემოქმედებაში, რ-
ის დეკორ. ნატიფმა ნამუშევარმა საფუძვე-
ლი ჩაუყარა *როკოკოს* (როგორც სტილურ
მიმართულებას), შეიქმნა ორნამენტულ-
დეკორ. პანოები, ხალიჩები, დესიუდეპორ-
ტები (ფ. ბუშე, კ. ვანლოო, ს. ლანკრე).
XVIII ს. I ნახევარში მონუმ. ქანდაკებას-
თან ერთად განვითარდა როკოკოს დეკორ.
პლასტიკა (ჟ. ბ. ლემუანი). დემოკრ. ხა-
სიათისაა ჟ. ბ. შარდენის ნამუშევრები,
პორტრეტების ოსტატია მ. კ. დე ლატური,
პეიზაჟისა — ჟ. ვერნე, ი. რობერი და სხვ.
XVIII ს. II ნახევარში გავრცელდა კლა-
სიციზმი (ფერმწერი ჟ. მ. ვიენი, მოქანდა-
კე ე. მ. ფალკონე). ამავე პერიოდში მოღ-
ვაწეობდნენ მოქანდაკე ჟ. ა. პუდონი და
ფერმწერი ჟ. ლ. დავიდი. XVIII ს. დასასრ.
გაჩნდა ახ. არქიტ. შექმნის მისწრაფება.
ნაპოლეონის იმპერიის *ამპირის* სტილის
საზ. შენობები საზეიმო, სატრიუმფო ხა-
სიათისა იყო [ლა მადლენის ეკლესია,
1806—42, არქიტ. ბ. ვინიონი; სატრიუმფო
თაღი დე გოლის მოედანზე (ჟოფ. ვარსკვ-
ლავის მოედანი), ვანდომის სვეტი (1806—
10, არქიტექტორები ჟ. ბ. ლეპერი, ჟ.
გონდუენი) — ყველა პარიზში].

XIX ს-ში პარიზში მიმდინარეობდა
დიდი საქალაქთმშენებლო სამუშაოები
(სენის დეპარტამენტის პრეფექტის ჟ. ე.
ოსმანის ხელმძღვანელობით), ჩატარდა
ამიენის, ნანტის, ორლეანის, ტულუზის და
სხვ. რეკონსტრუქცია. XIX ს. II ნახევარში
მშენებლობა *ეკლექტიზმის* ხასიათისა იყო
(თეატრი „გრანდ-ოპერა" პარიზში, არქიტ.
შ. გარნიე და სხვ.). თავი იჩინა არქიტ.
ახ. რაციონალისტურმა გაგებამ (ე. ვიო-
ლე-ლე-დიუკი, ა. ლაბრუსტი), აშენდა ახ.
ტიპის საზ. შენობები — დახურული ბაზ-
რები, უნივერს. მაღაზიები, პასაჟები, ვაგ-
ზლები და სხვ. პარიზში — სენტ-ჟენევიე-
ვის (1843—50) და ეროვნ. (1861—69)
ბ-კები (ორიენტ არქიტ. ა. ლაბრუს-
ტი), ეიფელის კოშკი და სხვ. XIX—
XX სს. მიჯნაზე აშენდა „*მოდერნის*" სტი-
ლის მრავალი შენობა (პარიზის მეტროს
სადგურები, დაახლ. 1900, არქიტ. ე. გი-
მარი). ს-ის არქიტექტურაში 1860-იანი
წლებიდან იყენებენ რკინაბეტონს. XIX ს.
დასაწყისისათვის სახვ. ხელოვნებაში
ფეხი მოიკიდა აკადემიზმმა (დავიდის
გვიანდ. ნამუშევრები, პ. ნ. გერენი, ფ.
ჟერარი). ა. გროს ადრინდ. ნამუშევრების
პათეტიკური ჰეროიკა შეიცვალა ყალბი
პათოსით, ნაპოლეონ I-ის იდეალიზაცი-
ით. კლასიცისტური ტენდენციები გააგრძე-
ლა ჟ. ო. დ. ენგრმა.

რესტავრაციისა და ივლისის რევ. პე-
რიოდში კლასიციზმთან ბრძოლაში ჩამო-
ყალიბდა რომანტ. სკოლა (თ. ჟერიკო, ე.
დელაკრუა), რაც ქანდაკებაში აისახა ფ. რი-
უდის „მარსელიეზაში" (1833—36). 1830-
იანი წწ. დასასრ. მოხდა მხატვრული მიმდი-
ნარეობების შემდგომი გამიჯვნა, განვითა-
რდა ცრუკლასიკური სალონური ხელოვნე-
ბა (თ. კუტიური და სხვ.). ამ პერიოდში
მუშაობდნენ ო. ვერნე, პ. დელაროში და სხვ.
მნიშვნელოვანი მოვლენები იყო ბარბიზო-
ნის საპეიზაჟო მხატვრობის სკოლის ოსტა-
ტობა (თ. რუსო, ჟ. დიუპრე, შ. ფ. დობინი,
ნ. ვ. დიაზი), პეიზაჟისტ კ. კოროს, ფერ-
მწერისა და პოლიტ. კარიკატურის ოსტა-
ტის ო. დომიეს შემოქმედება. 1848 რევო-
ლუციამ სტიმული მისცა კრიტ. რეალიზმის
განვითარებას (გ. კურბე, ჟ. ფ. მილე).
ბონაპარტისტული გადატრიალების შემ-
დეგ (1851) გაძლიერდა რეაქციული ძა-
ლები. 1860-იანი და მომდევნო ათეული
წლების მხატვრული კულტურის ყურადღე-
ბის ცენტრში მოექცა იმპრესიონისტების
(კ. მონე, ო. რენუარი, ე. დეგა, კ. პისარო,
ა. სისლეი და სხვ.) შემოქმედება. მათთან
დაკავშირებული იყო ე. მანე. 1850—60-იან
წლებში ქანდაკებაში აღსანიშნავია ჟ. ბ. კა-
რპოს, ჟ. დალუს, დომიეს ნამუშევრები.
XIX ს. უკანასკნელი მეოთხედის ყველაზე



ჟ. ბრაკი. „დუეტი". 1937. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. პარიზი.

მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ო. *როდენი*. 1880-იან წლებში დაიწყო იმპრესიონიზმის პრინციპების შეცვლის ცდა, რამაც XIX ს. დასასრ.—XX ს. დასაწყისში მიიღო *პოსტიმპრესიონიზმის* სახელწოდება. ნეოიმპრესიონიზმის წარმომადგენლები (ჟ. სერა, პ. სინიაკი) ცდილობდნენ ხელოვნ. შეხამებას აღმოჩენებთან ოპტიკის სფეროში (იხ. აგრეთვე *დივიზიონიზმი, პუანტილიზმი*). განვითარდა *სიმბოლიზმის* სხვადასხვა ვარიანტი (გ. მორო, ო. რედონი და სხვ.), რ-მაც გავლენა მოახდინა „მოდერნის" სტილის ჩამოყალიბებაზე (ჯგ. „ნაბი"; ე. გალე, რ. ლალიკი). პოსტიმპრესიონიზმის უდიდესი ოსტატები იყვნენ ვ. ვან-გოგი, პ. სეზანი, პ. გოგენი, ა. ტულუზ-ლოტრეკი.



სცენა სპექტაკლიდან „სიდი". (ჟ. კორნელი). 1951. ეროვნული სახალხო თეატრი.

XX ს. დასაწყისში არქიტექტორებმა ტ. გარნიემ და ო. პერემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არქიტ. განვითარებაში. 20—30-იან წლებში ჩამოყალიბდა არქიტ. მთავარი ნიშნები — ფორმათა ფუნქციური და კონსტრ. განპირობებულობა, ბეტონის, ჰინის, ფოლადის ფართოდ გამოყენება. არქიტ. შემდგომ განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ლე კორბუზიეს შეხედულებამ.

II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ უპირველეს ამოცანად იქცა დანგრეული ქ-ების აღდგენა (ჰავრის რ-ნი, არქიტ. ო. პერე). 50-იანი წწ. შუა ხანებში გაიშალა საცხოვრ. მასივებისა და სამრეწვ. დაბების მშენებლობა. 1960—70-იან წლებში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მშენებლობამ პარიზსა და მის გარეუბნებში. ლე კორბუზიეს საკულტო და საზ. შენობებმა (კაპელა ნოტრ-დამ-დიუ-ო რონშანში; ნამუშევრების ციკლი ინდოეთში, 1950—57 და სხვ.) წარმართა ამ პერიოდის არქიტ. განვითარება როგორც ს-ში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საზ. შენობებისათვის იყენებენ ალუმინისა და ფოლადის მსუბუქ კონსტრუქციებს, დაკიდებულ პანელებს, ორმაგად მრუდ გარსულ გადახურვებს და კამარებს (იუნესკოს შენობა პარიზში) და სხვ.

XX ს. დასაწყისში ს-ის სახვ. ხელოვნებაში არსებობდა სხვადასხვა მიმდინარეობა. ს-ში ჩადიოდნენ უცხოელი მხატვრები, რ-თა შემოქმედება მჭიდროდ დაუკავშირდა ს-ის ხელოვნ. ისტორიას (პ. პიკასო; პარიზის სკოლის ოსტატები და სხვ.), თვით პარიზი კი ბურჟ. ხელოვნ. ერთ-ერთ წამყვან საერთაშ. ცენტრად იქცა. დაახლ. 1905 გაჩნდა *ფოვიზმი* (ა. მატისის მეთაურობით; ა. მარკე, ჟ. რუო, ა. დერენი და სხვ.), 1907 — *კუბიზმი* (პ. პიკასო, ჟ. ბრაკი, ხ. გრისი). I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ გავრცელდა სიურრეალიზმი, 1945 შემდეგ—*აბსტრაქტული ხელოვნების* სხვადასხვა მიმდინარეობა (ა. მანესიე, პ. სულაჟი, ს. პოლიაკოვი, ჟ. მატიე და სხვ.), „ოპ-არტი" (ვ. ვაზარელი), „პოპ-არტი" და სხვ. ფრანგ. ხელოვნ. პროგრ. პოზიციების განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი მხატვართა მონაწილეობამ წინააღმდეგობის მოძრაობაში. შეიქმნა ომის წინააღმდეგ მიმართული ნამუშევრები (პ. პიკასო, ფ. ლეჟე). 1945 შემდეგ ვითარდება ნეორეალისტური ხელოვნება (ბ. ტასლიცკი და სხვ.). კარიკატურა (ჟ. ეფელი). ქანდაკებაში აღსანიშნავია ა. ბურდელის, ა. მაიოლის, შ. დესპიოს, ჟ. ბერნარის, მ. ჟიმონის შემოქმედება. XX ს-ში ს. მხატვრული წარმოების წამყვანი ცენტრია (ტანსაცმელი, ავეჯი, შპალერი, ლითონი, მინა, კერამიკა).

ლიტ.: Всеобщая история архитектуры, т. 4—5, 7, 10—11, М., 1966—73; Всеобщая история искусств, т. 1—2 (кн. 1), 3—6 (кн. 1), М., 1960—65.

XV. მუსიკა

ფრანგ. მუსიკის სათავეები გალიის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ტომების ყოფიდან მომდინარეობს. I ათასწლეულში ამ ტომებმა განიცადეს ბერძნ.-რომაული კულტურების ზეგავლენა. VIII ს-ში დამკვიდრდა გრიგორიანული ქორალი. X ს-ში ჩამოყალიბდა კათოლ. ლიტურგიის კანონები (შესა). განვითარდა ხალხ. მუსიკაც (ჟონგლიორებისა და მენესტრელების შემოქმედება). XI—XIII სს-ში აღმავლობის გზას დაადგა რაინდული ლირიკა მოხეტიალე მუსიკოს-ტრუბადურთა და ტრუვერთა მუს. პოეტური შემოქმედების სახით. ამ პერიოდის სასიმღერო ჟანრებია ვირელე, პასტურელი და სხვ. ქალაქური კულტ. განვითარებამ საფუძველი მოუმზადა მრავალხმიანობას (პეროტინი). ფრანგ. მუსიკის პროგრ. ეტაპს წარმოადგენს არს ნოვა (გილიომ დე მაშო, ფილიპ დე ვიტრი). რენესანსის ეპოქაში (XVI ს.) განსაკუთრებით განვითარდა მრავალხმიანი საგუნდო მუსიკა (დიუფაი, ჟოსკენ დეპრე, ოკეგემი, აგრეთვე ჟანეკენი). პირველი ცდები ეროვნ. ოპერის შექმნისა ეკუთვნის რ. კამბერს. ჟ. ბ. ლულიმ შექმნა კლასიკური ტიპი კარის ოპერა-ბალეტისა (XVII ს. 70—80-იანი წწ.). XVIII ს. I ნახევარში განვითარდა პროგრამულ-სახასიათო საკლავესინო სიუიტა (ფ. კუპერენი, ჟ. ფ. დანდრიე, ჟ. ფ. რამო). ამავე საუკუნის შუა წლებში წარმოიშვა სიმფონია (ფ. ჟ. გოსეკი). ჩამოყალიბდა ახ. ჟანრი — კომიკური ოპერა, რ-საც მხარს უჭერდნენ ენციკლოპედისტები (დ. დიდრო, ჟ. დ'ალამბერი, განსაკუთრებით ჟ. ჟ. რუსო). 1715 დაარსდა თეატრი „ოპერა კომიკი" (სახელწ. მიიღო 1801). ენციკლოპედისტების იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე კ. გლუკის საოპერო რეფორმაზე. საფრ. დიდი რევ. შემდგომ პერიოდში დაწინაურდა შესანიშნავი კომპოზიტორების მთელი რიგი (ფ. ჟ. გოსეკი, ე. მეიული, ჟ. ფ. ლესიუერი, ლ. კერუბინი). 1792 შეიქმნა რუჟე დე ლილის „მარსელიეზა", რ-იც შემდგომში სახელმწ. ჰიმნად იქცა; პარიზში დაარსდა ეროვნ. მუს. ინ-ტი (1793; 1795-იდან — კონსერვატორია). 1830 ივლ. რევ. წინა პერიოდში ფრანგ. მუსიკა გამოცოცხლდა. შეიქმნა ა. ბუალდიეს, ფ. ობერის, ფ. ჰეროლდის, ფ. ჰალევის, ა. ადანის ოპერები, აგრეთვე ახ. ჟანრი — „დიდი ოპერა" (ჯგ. მეიერბერი). მუს. რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია ჰ. ბერლიოზი.

XIX ს. II ნახ. ჩამოყალიბდა ლირ. ოპერის ჟანრი (შ. გუნოს, ლ. დელიბის, ჟ. მასნეს ოპერები), აგრეთვე ახ. მუს. თეატრ. ჟანრი — ოპერეტა (ჟ. ოფენბახი, შ. ლეკოკი). საოპერო რეალიზმმა მწვერვალს მიაღწია ჟ. ბიზეს შემოქმედებაში („კარმენი"). 1871 ს-ში დაარსდა ეროვნ. მუს. საზ-ბა, ამ პერიოდის თვალსაჩინო კომპოზიტორები: კ. სენ-სანსი, ს. ფრანკი, ე. შოსონი, მოგვიანებით გ. ფორე, ვ. დ'ენდი. 1888 ქ. ლილის მუშათა დღესასწაულზე პირველად აჟღერდა „ინტერნაციონალი" (ტექსტი — ე. პოტიეისი, მუსიკა — პ. დეგეიტერისა).

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ს-ში ჩაისახა *იმპრესიონიზმი* (კ. დებიუსი, მ. რაველი, ნაწილობრივ პ. დიუკა). I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ ფრანგ. მუსიკაში დამკვიდრდა ნეოკლასიციზმისა და ექსპრესიონიზმის ტენდენციები. თვალსაჩინო გახდა კონსტრუქტივიზმის გავლე (ე. სატი; მუს. გაერთიანება „ექვსეული" 40-იან წლებში დაიწყო გატაცება კომპ ზიციის აბსტრ.-ტექნოლ. სისტემებით (დ დეკაფონია, სერიულობა, ალეატორი ელექტრონული და კონკრ. მუსიკა). პერიოდის გამოჩენილი კომპოზიტორებ მიიო, ონეგერი, პულენკი. პარალელურ განვითარდა მასობრივი სიმღერა და გ დები, აგრეთვე შანსონიეს ხელოვნება. ს-ბრავალი მუს. საზ-ბაა, მ. შ. აღსანიშნავ „საფრანგეთის მუსიკალური ახალგაზ დობა" (1935). პარიზში მუშაობს „გრა ოპერა" („ოპერა კომიკი" 1973-იდან სებობს როგორც სტუდია), „ერის თე რი", 5 სიმფ. ორკესტრი; აქვეა თავმ რილი მნიშვნელოვანი მუს. სასწავ დაწესებულებანი — კონსერვატორია „ს ლა კანტორუმი" (1844) და სხვ., საფ ეროვნ. მუს. კომიტეტი, იუნესკოსთან სებული საერთაშ. მუს. საბჭო. ტარდ საერთაშ. კონკურსები (მ. ლონგისა და ტიბოს სახელობისა, 1943-იდან) და ს თანამედროვე მუსიკის გამოჩენილი წა მომადგენელია ო. მესიანი.

XX ს. გამოჩენილი ფრანგი მუსიკოს არიან: დირიჟორები — კ. შევიიარი, მონტე, ი. მარკევიჩი, ა. კლუიტენსი, მიუნში, პ. ბულეზი და სხვ.; პიანისტებ ლ. დიემერი, ი. ნატი, ა. კორტო, მ. ლ გი, რ. კაზადეზიუსი, მ. ააზი; მევიოლ ნეები — ჟ. ტიბო, ზ. ფრანჩესკატი, ნევე; ჩელოზე დამკვრელები — პ. ფურნ პ. ტორტელიე; ორგანისტები — შ. ტ ნემირი, შ. ვიდორი, მ. დიუპრე; მომღ ლები — დ. დიუვალი, ჟ. კრესპენი, ჟ. როდუ; შანსონიეები — ა. ბრიუანი, მ. ვალიე, შ. ტრენე, ე. პიაფი, ჟ. ბეკო, ბრასენსი, მ. მატიე და სხვ.; მუსიკ მცოდნეები — ლ. დე ლა ლორანსი, დიუმენილი, ფ. ლესიური და სხვ.

ლიტ.: Друскин М. С., О западноевропейской музыке XX века, М., 19 Тьерсо Ж., История народной пес во Франции, пер. с франц., М., 1975.

XVI. ბალეტი

XIII—XIV სს-ში ს-ში ჩამოყალიბ სასცენო ცეკვა, მანამდე იგი ხალხ. თა შობებისა და საეკლ. დღესასწაულებ შემადგენელი ნაწილი იყო. 1661 შეიქ ცეკვის აკადემია. უდიდესი ბალეტმაისტ რი და ცეკვის თეორეტიკოსი იყო ჟ. *ნოვერი*. მისი მიმდევარია ჟ. დობერვალ

XIX ს. 30-იან წლებში ს-ში დამკვიდ და რომანტ. ბალეტი ფ. ტალიონისა (შნაიცჰოფერის „სილფიდა", 1832) და პეროს (ა. ადანის „ჟიზელი", 1841) დად მებით. 1910-იანი წლებიდან ფრანგ. ბალ ტის ახ. აღორძინება დაკავშირებულ პარიზში პირველი „რუსული სეზონები გამოსვლასთან. ამ პერიოდში მ. ფოკინ დადგმებში მონაწილეობდნენ ა. *პავლოვა*, *კარსავინა*, ვ. *ნიჟინსკი*. წარმოდგენე მხატვრულად აფორმებდნენ პ. პიკასო, მატისი, ა. დერენი, ფ. ლეჟე, რ-თა ნამ შევრები რამდენადმე განაპირობებდა სპე ტაკლის ხასიათს. ს-ში ბალეტებს დგამდნ უცხოელი ბალეტმაისტერები: ჯგ. ბალანჩ ნი, ლ. მიასინი, ბ. ნიჟინსკაია. რუსმა მს ხიობებმა ო. პრეობრაჟენსკაიამ და ლ. ეგ როვამ პარიზში გახსნეს საბალეტო სკ ლები. 30-იან წლებში განსაკუთრებუ მნიშვნელობა მოიპოვა დასმა „ბალე რი დე მონტე-კარლომ". 1929—60 წლებ სხვადასხვა დროს პარიზის ოპერის ბალე ხელმძღვანელობდა ს. ლიფარი. 40-ია წწ. II ნახევარში გაჩნდა მრავალი ახ. ბალეტო დასი, მ. შ. „ელისეს მინდვრებ ბალეტი" (1945-იდან), „პარიზის ბ ლეტი", (1945-იდან ხელმძღვ. რ. პტი საკუთარი დასები შეადგინეს ჟ. შარა ჟ. ბაბილემ. 50-იან წლებში შეიქმნა და „XX საუკუნის ბალეტი". 60—70-ია წწ. დასებია: თანამედროვე საბალეტო თ ატრი (ბალეტმაისტერი ფ. ადრე; 1968

— ამიენში, 1971-იდან — ანჟუში); ჟ. აზინის ფრანგ. ცეკვის თეატრი (1969—), ფელოქს ბლასკის ბალეტი (1969- ან), მუს.. ახალგაზრდობის ეროვნ. ბალეტი (ბალეტმაისტერი პ. ლაკოტი, 1962), უმილის თეატრი" (1972-იდან). 1972- ან „მარსელის ბალეტს" ხელმძღვანელობს პტი. 60—70-იანი წლებიდან დაწინაურდნენ შოცეკვავეები: კ. მოტი, კ. ბესი, ამიელი, ჟ. რეიე, კ. ვლასი, ნ. ტიბონი, პონტუა, ვ. პიოლე, გ. ტესმარი, ა. ლასი, ს. ატანასოვი, ჟ. ბონფუ, მ. დენარი, ფრანკეტი, ჟ. პილეტა, პ. ბარი. ტარდება ყოველწლიური საერთაშ. საბალეტო ფესტივალი პარიზში (1963-იდან), ეატრ. ფესტივალი ავინიონში და სხვ.

XVII. დრამატული თეატრი

ფრანგ. თეატრის საწყისები ცნობილია უა საუკუნეებიდან, როცა დაიწყო მოხეიალე მსახიობების, მუსიკოსების და ჟონლიორების საჯარო გამოსვლები. ჯერ იდევ IX—X სს-ში ჩაისახა ლიტურგიკუი დრამა, რ-იც დაფუძნებული იყო სახაებების სხვადასხვა ეპიზოდის ინსცენირებაზე. ლიტურგიკული დრამიდან აღმოცენებული მისტერია იქცა შუა საუკ. თეატის მნიშვნელოვან და მასობრივ სახეობად. ამ მხრივ ყველაზე უფრო ერანდიული და პოპულარული იყო არნულ რებანის „ღვთის ვნებათა მისტერია" XV ს.). არსებობდა საერო ხასიათის მისერიებიც. 1599-იდან „ბურგუნდიის ტელში" მუშაობდა ვ. ლეკონტის პრონც. დასი — პირველი, მუდმივი პროფ. მსახიობო კოლექტივი, რ-იც დგამდა ა. რდის ტრაგედიებს, ტრაგიკომედიებსა და სტორალებს.

ფრანგ. თეატრის ისტორიის ახ. ეტაპი აიწყო აბსოლ. მონარქიის განმტკიცების XVII ს.) შემდეგ. ხელოვნებაში დამკიდრდა კლასიციზმი, რ-ის უდიდესი ბრმომადგენლები იყვნენ ტრაგიკოსი დრატურგები პ. კორნელი და ჟ. რასინი, კოდიოგრაფი მოლიერი. 1634 გაიხსნა თეატრი „მარე" (ხელმძღვ. მსახიობი გ. მონორი), რ-იც ძირითადად დგამდა კორნელის ტრაგედიებს. კლასიციზმურმა სკოამ განსაზღვრა XVII—XVIII სს. ფრანგ. ატორული ხელოვნ. სტილი და დიდი ვლენა მოახდინა სხვა ევრ. თეატრების ვითარებაზე. 1680 შეიქმნა თეატრი „კომედი ფრანსეზი". თეატრის რეპერტუარში ცენტრ. ადგილი დაიკავეს ვოლტერის ტრაგედიებმა. ამ პერიოდის საუკეთესო მსახიობები იყვნენ მ. დიუმენილი და ი. ლერონი.

საფრ. დიდი რევ. ეპოქის გამოჩენილი მსახიობი იყო ფ. ჟ. ტალმა. „თეატრების თავისუფლების დეკრეტის" ბების შემდეგ (1791) პარიზში შეიქმნა 19 თეატრი. გაიზარდა პროვინციატრების რიცხვი. ბულვარულ თეატრებთან გასართობ რეპერტუართან ერთად იდგებოდა ვ. ჰიუგოს, ა. დიუმა-მამის დრამები, პიას სოც. მელოდრამები, ო. ბალზაკის ესები და სხვ. გამოჩნდნენ უდიდესი რონტ. მსახიობები — ფრედერიკ-ლემეტრი, მ. დორვალი, პ. ბოკაჟი, ჟ. ბ. დებიური და სხვ.

პარიზის კომუნის 1871 დღეებში კომუნს მთავრობა ცდილობდა თეატრი საზ. ეზღდის საშუალებად გადაექცია პოლიტ. რეაქციამ კომუნის ჩახშობის შემდეგ ურჟ. თეატრი სრულ დაცემამდე მიიყვანა, ირითადი ადგილი სცენაზე დაიჭირეს მეფოდრამებმა და ვოდევილებმა. XIX ს. დამეზეის გამოჩენილი მსახიობები იყვნენ სარა ბერნარი, ბ. კ. კოკლენი, ჟ. მუნე-სიული. ნიშნელოვანი ცვლილებები ფრანგ. სცენაე დაკავშირებულია ა. ანტუანის სახელთან, იც ე. ზოლას ნატურალიზმის სკოლის მიმდევარი და პროპაგანდისტი იყო. მან ქმნა „თავისუფალი თეატრი" (1887—6) და „ანტუანის თეატრი" (1897—1906). XX ს. დასაწყისიდან პარიზსა და პროვინციებში ცდილობდნენ შეექმნათ სახ. თეატრები, რ-ის თეორეტიკოსი იყო რ. როლანი. 30-იანი წწ. დასაწყისში, დემოკრ. და ანტიფაშისტური მოძრაობის ამაღლების პერიოდში, განსაკუთრებით სახ. ფრონტის გამარჯვების წლებში, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია დემოკრ. თეატრ. ხელოვნებამ. თეატრ. ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეროვნ. სახ. თეატრმა, რ-იც 1920 შექმნა ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა ფ. ჟემიემ. გერმ.-ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ფრანგ. თეატრები თითქმის გაუქმებული იყო. მიუხედავად ამისა, ს-ის წამყვანი რეჟისორები ქმნიდნენ სპექტაკლებს ისტ. და მითოლ. სიუჟეტებზე, ალეგორიული ფორმით მოუწოდებდნენ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ დაიწყო ს-ის თეატრ. ხელოვნ. მკვეთრი აღმავლობა. მოწინავე საზ-ბა მხარს უჭერდა ს-ის უძველეს თეატრს „კომედი ფრანსეზს". აქ მოღვაწეობდნენ თანამედროვე ფრანგ. თეატრის გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები: ჟ. ლ. ბარო, მ. რენო, პ. დიუქსი, ჟ. რუსიეონი და სხვ. თეატრები შეიქმნა ლიონში, გრენობლში, ტულუზაში, კანში, ბორდოში და სხვ. ქ-ებში. აქ იდგმებოდა ანტიფაშისტური პიესები (კრუჩკოვსკის „გერმანელები"), საბჭ. პიესები (ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია"). ეროვნ. სახ. თეატრს 1951—63 ხელმძღვანელობდა ჟ. ვილარი. ამ თეატრში მუშაობდნენ გამოჩენილი მსახიობები: ჟ. ფილიპი, მ. კაზარესი, ჟ. ვილსონი, დ. სორანო, ს. მონფორი. ჟ. ვილარის ინიციატივით ავინიონში ტარდებოდა ყოველწლიური თეატრ. ფესტივალები (1947-იდან), რ-საც თვითონვე ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე (1971). ფრანგ. სცენური ხელოვნ. განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა მსახიობმა და რეჟისორმა ჟ. ლ. ბარომ. მან თავის მეუღლესთან მსახიობ მ. რენოსთან ერთად შექმნა დასი „კომპანი რენო-ბარო". ს-ის თეატრ. ცხოვრებაში (50—60-იანი წწ.) მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა „აბსურდის თეატრმა". ეროვნ. ტრადიციებს ავითარებს თავის ხელოვნებაში პანტომიმისტი მ. მარსო. ეროვნ. თეატრის ტრადიციების გამგრძელებელი დარჩა ს-ის უძველესი თეატრი „კომედი ფრანსეზი", რ-საც ჰყავს სტაბილური სამსახიობო დასი (სხვა თეატრები ძირითადად არჩევენ მსახიობებს რომელიმე ერთი დადგმისათვის). თეატრის დასში არიან ლ. სენიე, ჟ. ბერტო, მ. ობონი, დ. ივერნელი, ჟ. პ. რუსიეონი, ჟ მეიერი და სხვ. პარიზში ფრანგ. თეატრ. მოღვაწეთა ინიციატივით შეიქმნა „ეროვნული თეატრი" (1954), სადაც ტარდება საერთაშ. თეატრ. ფესტივალები, გამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დასები.

ლიტ.: История западноевропейского театра, т. 1—3, М., 1956—63.

XVIII. კინო

კინემატოგრაფიის (გამომგონებლები ძმები ლ. და ო. ლუმიერები) პირველი საჯარო სეანსი შედგა პარიზში 1895. 1910-იან წლებში დიდი პოპულარობა ხვდა წილად კინოკომედიებს, რ-ებშიც მ. ლინდერი მონაწილეობდა. 1919 რეჟ. ა. განსმა შექმნა ომის საწინააღმდეგო პამფლეტი „მე ბრალს ვდებ", რეჟ. ა. ანტუანს ეკუთვნის რამდენიმე ეკრანიზაცია — „მიწა" (1921 ე. ზოლას მიხედვით), „არლელი ქალი" (1922; ა. დოდეს მიხედვით) და სხვ. 30-იანი წწ. დასაწყისში ფრანგ. კინოწარმოება გადავიდა ხმოვანი ფილმების მასიურ გამოშვებაზე. წამყვანი როლი კინოს იდეურ-მხატვრული სრულყოფისათვის იმ წლებში ეკუთვნოდა რეალისტ-რეჟისორებს: რ. კლერს („პარიზის საზურაეების ქვეშ", 1930), ჟ. რენუარს („ტონი", 1934), ჟ. ვიგოს („ნული ქცევისათვის", 1932), ჟ. ფეიდერს („დიდი თამაში", 1934) და სხვ. მსოფლიო აღიარება მოიპოვა ფრანგ. კინოს აქტიორულმა სკოლამ (ჟ. გაბენი, ლ. ჟუვე, ჟ. ლ. ბარო, პ. ბრასერი, ფ. მ. სიმონი, შ. ვანელი, მ. მორგანი, ფერნანდელი, დ. დარიე და სხვ.). II მსოფლიო ომის წლებში (1939—45). ნაცისტური ოკუპაციის პერიოდში, ფრანგმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს მთელი რიგი ფილმებისა, რ-ებშიც გაისმის მოწოდება ბრძოლისაკენ.



კადრი ფილმიდან „რაიკის შვილები". რეჟისორი მ. კარნე. 1945.

განთავისუფლებული ს-ის პირველი ფილმია რ. კლემანის „ბრძოლა რელსებზე" (1946). მსოფლიო აღიარება მოიპოვეს ფრანგ. კლასიკის საუკეთესო ეკრანიზაციებმა: „პარმის სავანე" (1948, რეჟ. კრისტიან-ჟაკი), „წითელი და შავი" (1954, რეჟ. კ. ოტან-ლარა) — ორივე ფილმი გადაღებულია სტენდალის რომანების მიხედვით, „ტერეზა რაკენი" (1953, რეჟ. კარნე), „ჟერვეზა" (1956, რეჟ. კლემანი) — ორივე ზოლას რომანების მიხედვით და სხვ. 40-იანი წწ. ბოლოს და 50-იანი წწ. დასაწყისში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მსახიობები: ჟ. ფილიპი, ბურვილი, ჟ. მარე, მ. კაზარესი, ლ. დე ფიუნესი, ს. რეჟანი და სხვ. 50-იან წლებში გაინდა ე. წ. „ახალი ტალღა", სულ მოკლე ხანში კინოში მოვიდა 150-მდე ახ. რეჟისორი, რ-თა შორის წამყვანი ადგილი დაიკავეს ფ. ტრიუფომ, ჟ. ლ. გოდარმა, ლ. მალმა, კ. ლელუშმა. ფრანგ. კომედიის სკოლა ომის შემდგომ პერიოდში წარმოდგენილია ჟ. ტატის („ჩემი ბიძა", 1958), კრისტიან-ჟაკის („კანონი კანონია", 1958), პ. ეტექსის („იო-იო", 1965) და სხვ. ფილმებით. 60—70 წწ. გამოჩენილი მსახიობები არიან: ჟ. მორო, ჟ. ლ. ტრენტინიანი, ჟ. პ. ბელმონდო, კ. დენიოვი, ა. დელონი, ა. ჟირარდო და სხვ. 1946-იდან ყოველწლიურად (1948, 1950 გარდა) ტარდება საერთაშ. კინოფესტივალები კანში. 1976 დააწესეს ყოველწლიური ეროვნ. კინოპრემია „სეზარი".

ლიტ.: Базен А., Что такое кино?, [пер с франц.], М., 1972; Садуль Ж., Всеобщая история кино, пер. с франц., т. 1, 3, 6, М., 1958—63.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 528—529.

საფრანგეთის ალპები, დას. ალპების ნაწილი საფრანგეთში. სიგრძე დაახლ. 330 კმ. განარჩევენ მთიან-მყინვარულ რელიეფიან (მონბლანის მასივი, კოტისა და გრაის ალპები და სხვ.), წიწვოვანი ტყით, სუბალპ. და ალპ. მდელოებით შემოსილ ჩრდ. ს. ა-ს და შედარებით დაბალ სამხრ. ს. ა-ს (პროვანსისა და ზღვისპირა ალპები). რ-ისთვისაც დამახასიათებელია ხმელთაშუა ზღვის ჰავისა და ლანდშაფტის ელემენტები.


საფრანგეთის ბანკი (Banque de France), საფრანგეთის ცენტრალური საემისიო ბანკი; შეიქმნა 1800 როგორც კერძო სააქციო სზ-ბა. 1803 მიიღო ბანკნოტის გამოშვების მონოპოლიური უფლება პარიზში, 1848 კი — მთელ საფრანგეთში. ს. ბ. ითვლებოდა რეაქციის ბურჯად. 1936-მდე მას მართავდა რეგენტთა საბჭო, შემდეგ საბჭო, რ-ის 20 მრჩეველიდან 18-ს ნიშნავდა მთავრობა. 1945 ნაციონალიზებულ იქნა. ს. ბ-ს აქვს 232 განყ-ბა, ბანკის ბა-

ლანსის ჯამი შეადგენს 387,9 მლრდ. ფრანკს (დეკ. 1979). *ჯ. კაბნიაშვილი.*

საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა (Afrique Occidentale Française), საფრანგეთის ყოფილი კოლონიური სამფლობელოების (სენეგალი, მავრიტანია, საფრ. სუდანი, გვინეა, სპილოს ძვლის ნაპირი, ზემო ვოლტა, დაჰომეა, ნიგერი) პოლიტ.-ადმ. გაერთიანება დას. აფრიკაში. შეიქმნა 1895—1904, იარსება 1958 ოქტ-მდე.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1789—94, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რ-მაც დაამხო ფეოდალურ-აბსოლუტური წყობილება საფრანგეთში და ნიადაგი მოუმზადა კაპიტალიზმის დამკვიდრებას. რევოლუცია გამოიწვია წინააღმდეგობათა შეურიგებლობამ კაპიტალ. საწარმოო ძალებსა და ფეოდ. წარმოებით ურთიერთობათა შორის, აღმავალი ბურჟ. და ფეოდ. თავადაზნაურობის (პრივილეგირებული წოდებანი: სამღვდელოება, საერო ფეოდალები) კლასობრივმა ანტაგონიზმმა, მასების (ქალაქისა და სოფლის მშრომელები, მდაბიონი — მანუფ. მუშები, ხელოსნები, წვრილი მედუქნეები ანუ ე. წ. სანკიულოტები: გლეხობა, რ-იც მოსახლ. უმრავლესობას შეადგენდა) უკმაყოფილებამ, რ-იც მიმართული იყო ფეოდალურ-აბსოლ. მონარქიისა და მისი დასაყრდენის თავადაზნაურული არისტოკრატიის წინააღმდეგ. ე. წ. „ძველი რეჟიმი", თავისი რეაქციული პოლიტიკით, არაერთგვაროვანი ადმ. წყობით, უთავბოლო უფლებრივ-სამართლებრივი და ქაოტური ფისკალურ-საგადასახადო სისტემით, წარმოება-ვაჭრობის უწვრილმანესი რეგლამენტაციით და ძნელად გადასალახავი საბაჟო ზღუდეებით გამორიცხავდა ქვეყნის საზ.-ეკონ. და პოლიტ. პროგრესს. ფეოდ. „წესრიგი", სენიორული, სახელმწ. და საეკლ. გადასახადების სიმძიმე, მოხელეთა თვითნებობა, ჯოჯოხეთად აქცევდა გლეხობის ცხოვრებას, პროლეტარიატის კლასობრივმა მოუმწიფებლობამ რევ. პეგემონად აქცია ეკონომიკურად ძლიერი, მაგრამ პოლიტიკურად უუფლებო ბურჟუაზია, რ-იც მთელი *მესამე წოდების* (არაპრივილეგირებულთა, უაზნოთა წოდება) მეთაურად გამოდიოდა, მიისწრაფოდა პოლიტ. ბატონობის მოპოვებისაკენ, ხალხთან ერთად იბრძოდა და ხალხთან ერთად რევ. მამოძრავებელ ძალას შეადგენდა. მესამე წოდების კლასობრივი შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო, ბურჟუაზიის, ქალაქის მშრომელებსა და გლეხობას, რ-ებიც მესამე წოდებას მიეკუთვნებოდნენ, განსხვავებული, ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები და მისწრაფება-იდეალები ჰქონდათ, რაც განსაზღვრავდა რევ. პროცესის მიმდინარეობას და იწვევდა მათ შორის წინააღმდეგობის გამწვავებას. მაგრამ ამ სხვადასხვა საზ.-პოლიტ. ძალებს ფეოდ.-აბსოლ. წყობილების საწინააღმდეგო, საერთო ინტ
რესებიც გააჩნდათ, რ-ებიც განაპირ
ბებდნენ მესამე წოდების ერთიანობ
ფეოდალიზმის დასამხობად ბრძოლაშ
„ფილოსოფიური რევოლუცია წინ უძღ
და პოლიტიკურ გადატრიალებას" (ფ. ე
გელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკუ
გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თ
1970, გვ. 6.). იდეოლოგიურად რევოლუც
მოამზადეს დიდმა ფრანგმა განმანათლ
ლებმა (*მონტესკიე, ვოლტერი, რუსო, დ
დრო, დ'ალამბერი* და სხვ.). მათი იდეებ
კონცენტრირებული გამოხატულება ი
რევ. მთავარი ლოზუნგი — ტრიადა: „თ
ვისუფლება, თანასწორობა, ძმობა", რ
განასახიერებდა რევ. მებრძოლთა მისწრ
ფება-იდეალებს, მაგრამ ამასთან ერთად
რავდა მათი სოც.-პოლიტ. ინტერესების გ
სხვაებულობა-წინააღმდეგობას. XVIII
80-იან წლებში ქვეყნის მძიმე მდგომ
რეობა კიდევ უფრო გააუარესა სავაჭრ
ეკონ. კრიზისმა, მოუსავლიანობამ, სახელ
წიფოს გაკოტრებამ. ხაზინა დაცარიე
და, სახელმწიფოს ვალმა 4,5 მლრ
ლივრს მიაღწია. აბსოლუტიზმის „ვაჟკ
საცების" ცდები [ტიურგოს რეფორმებ
(1774—76) მარცხი, 1787 ნოტაბლების კრ
ბა] თავადაზნაურული არისტოკრ. შე
პოვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 178
89 მომწიფდა რევ. სიტუაცია. რევ. მო
ლოების მაუწყებელი იყო სახ. მღელვარე

საფრანგეთის დიდი რევოლუცია



1789 ნ. 14 ივლისი–1793 ნ. 2 ივნისი

1793 ნ. 2 ივნისი – 1794 ნ. 27/28 ივლისი

- მოქალაქეთა ყველაზე მნიშვნელოვანი რევ.-ლუციური გამოსვლების ადგილები 1789 ნ.
- გლეხთა რევოლუციური გამოსვლებისა და აჯანყებების რაიონები 1789 ნ.
- მარსელელთა რევოლუციური რაზმის მსვლელობა 1792 ნ.
- კონტრრევოლუციური როიალისტური აჯანყების რაიონები 1793 ნ.
- ინტერვენტების არმიების მოქმედების მიმართულებები 1792-1793 ნ.
- საფრანგეთის რევოლუციური ჯარების მოქმედების მიმართულებები 1792 1793 წწ
- ომნიშვნელოვანესი ბრძოლების ადგილები და ნლები
- საფრანგეთის საზღვრები 1789 ნ.
- 1791 ნლიდან 1793 ნ ივნისამდე საფრანგეთის მიერ შემოერთებული ტერიტორიები
- იაკობინელთა დიქტატურის წინააღმდეგ მიმართული 1793 ნ. კონტრრევოლუციური აჯანყების რაიონები და ცენტრები
- ინტერვენტების საბრძოლო ძალების მოქმედების მიმართულებები 1793-1794 წწ.
- საფრანგეთის რევოლუციური ჯარების მოქმედების მიმართულებები 1793 1794 წწ.
- ომნიშვნელოვანესი ბრძოლების ადგილები და ნლები
- საფრანგეთის საზღვრები 1793 ნ. ივნისში
- საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორიები 1793 1794 წწ.

,ამოსვლები ქ-ებსა და სოფლებში. კრიზი-ის დასაძლევად ლუი XVI-მ მოიწვია გენე-ალური შტატები, რ-იც 1789 წ. 5 მაისს შე-კრიბა ვერსალში. აბსოლუტიზმის მისწრა-ებამ, გენ. შტატების მხოლოდ ფი-ანს. საკითხების მოგვარებით შემოეფარ-ლა, გამოიწვია მონარქიის კონფლიქტი ხსამე წოდების დეპუტატებთან (მათ ეუერთდა ლიბერალური თავადაზნაურობა ა სამღვდელოების ნაწილი), რ-ებმაც 1789 . 17 ივნ. თავი ჯერ ეროვნულ კრებად ამოაცხადეს, 20 ივნ. დადეს ფიცი, რომ რ დაიშლებოდნენ, ვიდრე კონსტიტუციას რ შეიმუშავებდნენ, ხოლო 9 ივლ. ეროვნ. რება დამფუძნებელ კრებად აქციეს. მე-ჯისა და მისი მომხრეების ცდებმა, ბოლო ოელოთ მესამე წოდების „კადნიერებისა-ვის" და გაერეკათ დამფუძნებელი კრება, ახ. აჯანყება გამოიწვია: 14 ივლ. პარიზე-ებმა იერიშით აიღეს აბსოლუტიზმის ციტადელი *ბასტილია*. ამ ისტ. გამარჯვე-ამ დამფუძნებელი კრების მდგომარეობა ანამტკიცა და დასაწყისი მისცა რევო-უციას, რ-იც სწრაფად გავრცელდა ებსა და სოფლებში. აჯანყებულმა მო-ალაქეებმა მოაწდინეს ე. წ. „მუნიციპა-ური რევოლუცია", რ-მაც აგვ. ბოლო-ათვის ყველა ქალაქში გაიმარჯვა — ხე-ისუფლებაში ძვ. ორგანოები ახ. ბურჟ. უნიციპალიტეტებით შეიცვალა. გლეხო-ის მრისხანე აჯანყებები ამსხვრევდა ეოდ.-სენიორულ რეჟიმს. რევოლუციის ეტაპზე (1789 წ. 14 ივლ. — 1792 წ. 10 გვ.) ხელისუფლება მოიპოვა მსხვილმა ონსტიტუციონალისტა ბურჟუაზიამ და ლი-ერ. თავადაზნაურობამ (ლიდერები: პარი-ის მერი, სწავლული ასტრონომი ჟ. ბაილი, რაფი ო. *მირაბო*, მარკიზი მ. ჟ. ლაფა-ეტი, აბატი სიეიესი, ადვოკატი ლე შა-ელიე), ბურჟუაზიამ შექმნა ახ. სამხ. ძა-ა — *ეროვნული გვარდია* (მეთაური — აფაიეტი). რევოლუციამ წარმოშვა პა-იზის თავისუფალი პრესა, სახ. საზოგა-ოებანი, *იაკობინელთა* და *კორდილიერ-ა* კლუბები, რ-ებიც თანდათან რევ. ძალთა ეოლოგიურ-პოლიტ. და მაორგანიზებელ ენტრებად გადაიქცნენ. გლეხობის რევ. როტესტის გავლენით დამფუძნებელმა რებამ 1789 წ. 4 აგვ. ღამის სხდომაზე „სასწაულთა ღამე") საზეიმოდ გამოა-ხადა ფეოდალიზმის ლიკვიდაცია, მაგ-ამ 4—11 აგვ. კანონებით გააუქმა გლეხო-ის მხოლოდ ე. წ. „პერსონალური" ვალ-ებულება-გადასახადები: სერვაჟი, მენ-ორტი, ნადირობის უფლება და სხვ. სე-იორთა საკუთრებისეული უფლებებიდან ამომდინარე ე. წ. „რეალური" გადასახა-ები კი (ცენზი, ნატურალური ღალა, სე-იორული ბაჟები და სხვ.) გლეხებს უნდა ამოეყიდათ. რევ. მთავარი საკითხი — ურ. საკითხი — გალაგწყვეტილი რჩებოდა. რებამ გააუქმა აგრეთვე წოდებრიობა, თა-დადაზნაურობის ტიტულები, ამჭრები, რეგ-ამენტაცია. შეშოიღო ას. ადმ. დაყოფა საფრანგეთი დაიყო 83 დეპარტამენტად, პარიზი — 48 სექციად), მოახდინა საეკ-ესიო და ეპისკოპოსი თავადაზნაურობის ონების კონფისკაცია (შეიქმნა ე. წ. ეროვნ. ქონების ფონდი", რ-იც იყიდებო-ა), რ-ითაც უზრუნველყო საადგილმამუ-ო საკუთრების გადანაცვლება ახ. ბურჟ. ფლობელობის ხელში. 1789 წ. 26 აგვ. რებამ მიიღო რევ. უმნიშვნელოვანესი დო-უმენტი: „ადამიანისა და მოქალაქის უფ-ებათა დეკლარაცია". უმთავრეს უფლე-ებად ცხადდებოდა: თანისუფლება, თანას-ორუფლებიანობა, „საკუთრება, უშიშ-ოება, ჩაგვრისათვის წინააღმდეგობის გა-ევა; სახელმწიფოებრივი წყობილების ბაღლეს პრინციპად — ერის უზენაესობა. ბგრამ მანვე მიიღო 1791 კონსტიტუცია, ო-იც აბსოლუტიზმს ცვლიდა კონსტ. ონარქიით, განამტკიცებდა ცენზიან სა-არჩევნო სისტემას (დაყოფას ე. წ. „აქტი-ურ" და „პასიურ" მოქალაქეებად) და აკა-ონებდა მსხვილი ბურჟ. ბატონობას. მსხვი-ლი ბურჟ. „კონსტიტუციურმა მონარქიზმ-მა" (1791 ივნისში ლუი XVI ოჯახიანად გაიქცა, ვარენში დააკავეს და დააბრუნეს, მაგრამ ხელისუფლება მაინც შეუნარჩუნეს), მისმა ანტიხალხურმა პოლიტიკამ (გლეხთა მოძრაობის ჩახშობა, ლე შაპელიეს კანონი 1791, დახვრეტა მარსის მოედანზე 1791 წ. 17 ივლ.), მისწრაფებამ ხალხის მოთხოვ-ნათა დაუკმაყოფილებლად დაემთავრებინა რევოლუცია, ბოლო მოულო მესამე წოდე-ბის ერთიანობას, მსხვილი ბურჟუაზია კონტრრევ. ძალად აქცია და გარდაუვალი გახადა რევ. ბრძოლის გამწვავება როია-ლისტურ კონტრრევოლუციასა და რევ. დემოკრატიას შორის. 1791 წ. 1 ოქტომბ. მუშაობას შეუდგა „აქტიური" მოქალაქე-ების მიერ არჩეული ეროვნული კრება. *„ჟირონდისტთა"* (მათ მეფე ეყრდნობოდა) და *„ჟირონდისტთა"* („ბრისოელები") მთავა-რობები განაგრძობდნენ პოლიტიკას, რ-იც არ უპასუხებდა ხალხის უმრავლესობის ინტერესებს. უმნიშვნელოვანესი გახდა ომის საკითხი. რევ. ჩასახშობად გაერთიანდა საშინაო და საგარეო (შეიქმნა ავსტრ., პრუსიის, სარდინიის კოალიცია ბურჟ. ინგ-ლისისა და რუსეთის მხარდაჭერით) კონტრრევ. ომი დაიწყო 1792 წ. 20 აპრ., „რევოლუციური საფრანგეთი თავს იცავდა რეაქციულ-მონარქისტული ევროპისაგან" (ვ. ი. ლენინი, გამოც. 4, ტ. 25, გვ. 442). პრუსიის ჯარების შეჭრამ საფრ. ტერიტო-რიაზე, რევ. დაღუპვის საშიშროებამ, ბრა-უნშვაიგის ჰერცოგის თავხედურმა ულტი-მატუმმა (პარიზის დანგრევის მუქარა) გა-მოიწვია 1792 წ. 10 აგვ. აჯანყება, რ-მაც დაამხო მონარქია და დასაბამი მისცა რევ. II ეტაპს (1792 წ. 10 აგვ. — 1793 წ. 2 ივნ.). 20 სექტ. ვალმის ბრძოლაში საფრ. არმიამ (სარდლები ფ. ე. კელერმანი) პირ-ველი დიდი გამარჯვება მოიპოვა კოალი-ციაზე. 21 სექტ. საყოველთაო ხმის უფ-ლებით არჩეულმა კონვენტმა საფრანგე-თი რესპუბლიკად გამოაცხადა (კონვენტის განაჩენით 1793 წ. 21 იანვ. ლუი XVI სიკვ-დილით დასაჯეს). კონვენტში ხელისუფ-ლების სათავეში მყოფ ჟირონდისტებს დაუ-პირისპირდა იაკობინელთა ბლოკი (მეთაუ-რები: ჟ. *დანტონი*, ჟ. პ. *მარატი*, მ. რო-*ბესპიერი*, *სენ-ჟიუსტი* და სხვ.), რ-იც ხალ-ხის უმრავლესობის (საშ. და წვრილი ბურ-ჟუაზია, ქალაქის მშრომელ-ღარიბობა, გლეხობა) ინტერესებს გამოხატავდა და მიისწრაფოდა ბოლომდე მიეყვანა რევო-ლუცია. 1793 დასაწყისიდან საფრ. სამ-ხედრო-პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. ავსტრია-პრუ-სიის კოალიციას შეუერთდნენ ინგლისი, ესპანეთი, რუსეთი და სხვ. კონტრრევო-ლუციურმა აჯანყებებმა ვანდეაში და სხვა-გან, გენ. დიუმურიეს ჩრდ. არმიის დამარ-ცხებამ (18 მარტს ნეერვინდენის ბრძოლა-ში) და მისმა ღალატმა, ინტერვენტების შეჭრამ საფრ. ტერიტორიაზე, რევ. და-ღუპვის საშიშროებამ ჟირონდისტების უუნარობამ კარდინალურ ღონისძიებათა გატარებით გადაერჩინათ რევოლუცია, უკიდურესობამდე გააშწვავა პოლიტ. ბრძოლა ჟირონდისტებსა და იაკობინელ-თა ბლოკს შორის, გამოიწვია 1793 წ. 31 მაისს — 2 ივნ. აჯანყება, რ-ის შედეგი იყო იაკობინელთა რევ.-დემოკრ. დიქტა-ტურის დამყარება. დაიწყო რევ. III, უმა-ღლესი ეტაპი (1793 წ. 2 ივნისი — 1794 წ. 27/28 ივლ. ანუ 9 თერმიდორი). ია-კობინელთა რევ. მთავრობამ (*კონვენტი*, *საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი* და ნა-წილობრივ სახ. უშიშროების კომიტეტი მასებზე დაყრდნობით (მრავალრიცხოვანი ფართოდ განშტოებული სახ. საზოგადოე-ბანი) შეძლო ქვეყნის მატერ. რესურსებისა და ხალხის მასების მობილიზება რევ. გადასარჩენად (საფრ. ტერიტორიის ორი მესამედი მტრებს ეკავათ). მან რადიკა-ლურად, დემოკრ. საფუძველზე გადაწყვი-ტა აგრ. საკითხი, 1793 ზაფხულში გაატა-რა რეფორმა, რ-მაც ფრანგი გლეხები მი-წის თავისუფალ მესაკუთრეებად აქცია, გამოიყენა ტერორი კონტრრევოლუციო-ნერთა და ვაჭარ-სპეკულანტების წინააღმ-დეგ. შემოიღო ფასების „მაქსიმუმი" სურ-სათ-სანოვაგეზე, განახორციელა არმიის რეორგანიზაცია, ჩაახშო კონტრრევ. აჯან-ყებანი და საფრ. ტერიტორიიდან განდევნა გარეშე მტრები. იაკობინელთა დიქტატუ-რამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, ბოლომდე მიიყვანა ბურჟ.-დემოკრ. რევო-ლუცია, მაგრამ იაკობინელები არათანა-მიმდევრული ბურჟ. რევოლუციონერები იყვნენ. მათ ვერ დაძლიეს წინააღმდეგობა კაპიტალიზმის განვითარების ობიექტურ პროცესსა და მათსავე მისწრაფება-იდეა-ლებს შორის. იაკობინელთა ბლოკს შიგ-ნით მიმდინარე ბრძოლამ შეიწირა ჯერ მემარცხენეები (*ებერტისტები*), შემდეგ მემარჯვენეები (დანტონისტები), რამაც მნიშვნელოვნად შეავიწროვა და დაასუსტა მათი სოც.-პოლიტ. დასაყრდენი. იაკობი-ნელთა (რობესპიერისტების) „შემზღუდ-ველი" რეჟიმით უკმაყოფილო ბურჟუაზიამ 1794 წ. 9 თერმიდორს მოახდინა კონტრ-რევ. გადატრიალება და ბოლო მოულო რევოლუციას. ს. დ. რ-მ უფრო რადიკა-ლურად დააშსვრია ფეოდ.-აბსოლ. წყო-ბილება, ვიდრე მისმა წინამორბედმა რევოლუციებმა. მან უდიდესი ზემოქმედება მო-ახდინა მსოფლიო რევ. მოძრაობისა და პროგრ. საზ.-პოლიტ. აზრის განვითარე-ბაზე.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., ომი და რევო-ლუცია, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 24; მ ი ს ი-ვე, ხალხის მტრების შესახებ, იქვე, ტ. 25; М а н ф р е д А. З., Великая французская буржуазная революция XVIII века, М., 1956; С о б у л ь А., Из истории Великой бур-жуазной революции 1789—1794 гг. и рево-люции 1848 г. во Франции, пер. с франц., М., 1960.

რ. სიკინჭალაშვილი.

საფრანგეთის ეკვატორული აფრიკა (Afrique Equatoriale Française), საფ-რანგეთის ყოფილი კოლონიური სამფლო-ბელოების (გაბონი, შუა კონგო, უბანგი-შარი, ჩადი) პოლიტ.-ადმ. გაერთიანება ეკვატორულ აფრიკაში 1910—58 (1910-მდე — საფრ. კონგო).

საფრანგეთის ინსტიტუტი (L'Institut de France), საფრანგეთის ოფიციალუ-რი მთავარი სამეცნიერო დაწესებულება, რ-იც აერთიანებს მეცნიერების, ლიტერა-ტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღ-ვაწეებს. მისი მიზანია მეცნ. და ხელოვნ. განვითარებისათვის ხელის შეწყობა. საფრ. დიდ რევოლუციამდე არსებობდა 5 სპეც. აკადემია, რ-ებიც 1793 ეროვნ. კონვენტმა გააუქმა. 1795 დირექტორიამ დააარსა მეცნ. და ხელოვნ. ინ-ტი, რ-საც ჰქონდა 3 კლასი (განყ-ბა). სიტყვა „ინსტიტუტი" როგორც სამეცნ. დაწესებულების აღმნიშვ-ნელი ცნება მეცნ. ისტორიაში პირველად გამოიყენეს ს. ი-ს საბელღწოდებისათვის. 1806 დაწესებულებას ეწოდა ს. ი. 1816 სათანადო კლასებს კვლავ ეწოდა აკადემიები. ს. ი-ში შემა-ვალ ყოველ აკადემიას აქვს თავისი დებუ-ლება და ორგანიზაცია, ს. ი-ს ხელმ-ძღვანელობს პრეზიდიუმი, რ-ის წევრებსა და პრეზიდენტს ირჩევენ წელიწადში ერთხელ. კვარტალში ერთხელ ყველა აკა-დემიის საერთო კრებაზე არჩევენ საერთო საკითხებს. ყოველი აკადემია თავის კრე-ბაზე ირჩევს ახ. წევრებს, არჩევნების შე-დეგებს კი ამტკიცებს რესპ. პრეზიდენტი, ს. ი-ის ძირითადი საქმიანობაა სამეცნ. მოხსენებათა მოსმენა და შეფასება, სა-მეცნ. შრომების გამოცემა და პრემიათა მინიჭება (პრემიებს აფინანსებენ სახელმწ. და კერძო ფონდებიდან, რ-ებიც ს. ი-ს გამგებლობაშია). ს. ი-ში შედის 5 აკადე-მია: საფრანგეთის აკადემია (L'Académie française), ევრ. უძველესი აკადემიაა, რ-იც 1635 დაარსა კარდი-ნალმა *რიშელიემ*. მის შემადგენლობაშია 40 აკადემიკოსი, ე. წ. „40 უკვდავი" (ახ. წევრს ირჩევენ მხოლოდ რომელიმე აკადე-

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობები

1 (დამფუძნებელი) ყრილობა
25—30 დეკ. 1920. ტური.
ადმინისტრაციული ყრილობა
15—17 მაისი 1921 პარიზი.
I ყრილობა
25—30 დეკ. 1921. მარსელი.
II ყრილობა
15—19 ოქტ. 1922, პარიზი.
III ყრილობა
20—24 იანვ. 1924. ლიონი.
IV ყრილობა
17—21 იანვ. 1925. კლიში.
V ყრილობა
20—26 ივნ. 1926. ლილი.
VI ყრილობა
31 მარტი — 7 აპრ. 1929. სენ-დენი.
VII ყრილობა
11—19 მარტი, 1932, პარიზი.
VIII ყრილობა
22—25 იანვ. 1936, ვილერბანი.
IX ყრილობა
25—29 დეკ. 1937, არლი.
X ყრილობა
26—30 ივნ. 1945, პარიზი.
XI ყრილობა
25—26 ივნ. 1947, სტრასბური.
XII ყრილობა
2—6 აპრ. 1950, ვილნევილი.
XIII ყრილობა
3—7 ივნ. 1954. ივრი.
XIV ყრილობა
18—21 იულ. 1956, პავრი.
XV ყრილობა
24—28 ივნ. 1959, ივრი.
XVI ყრილობა
11—14 მაისი 1961,სენ-დენი.
XVII ყრილობა
14—17 მაისი 1964, პარიზი.
XVIII ყრილობა
4—8 იანვ. 1967, ლევალუა-პერე.
XIX ყრილობა
4—8 თებ. 1970, ნანტერი.
XX ყრილობა
13—17 დეკ. 1972, სენტ-უანი.
XXI (რიგგარეშე) ყრილობა
24—27 ოქტ. 1974, ვიტრი.
XXII ყრილობა
4—8 თებ. 1976, სენტ-უანი.
XXIII ყრილობა
მაისი 1979
XXIV ყრილობა
3—7 თებ. 1982.

მიკოსის გარდაცვალების შემდეგ. ამასთან, ირჩევენ მხოლოდ საფრ. მოქალაქეს). აკად. ძირითადი საქმიანობაა ფრანგ. ენის დაბეჭდვა, მის სიწმინდეზე ზრუნვა, ფრანგ. ენის ლექსიკონის შექმნა. 1694—1962 გამოვიდა ლექსიკონის 9 გამოცემა. აკადემიას ბევრი ლიტ. პრემია აქვს დაწესებული (Le grand prix de la langue française, le grand prix de littérature და სხვ.); წარწერებისა და კაზმული სიტყვიერების აკადემია (L'Académie des inscriptions et belles-lettres) 1663 დააარსა ჟ. კოლბერმა. მის შემადგენლობაშია 40 ნამდვილი წევრი, 15 თავისუფალი წევრი (არ მონაწილეობენ აკადემიკოსთა არჩევაში), 70 წ.-კორ. (მ. შ. 40 საზღვარგარეთელი მეცნიერი). აკად. ძირითადი საქმიანობაა ძვ. და აღმოსავლური ენების, შუა საუკ. დიალექტების, ყველა დროის ისტ. შესწავლა. გამოცემებია: „Comptes rendus" (1857-იდან), „Mémoires" (1803-იდან). „Notices et extraits des MSS" (1787 - იდან). მეცნიერებათა აკადემია (L'Académie des sciences), რ-იც 1666 დააარსა ჟ. კოლბერმა (სხვადასხვა დროს ერქვა სამეფო აკადემია, პარიზის აკადემია), მის შემადგენლობაშია: ფიზ.-მათ. მეცნ. 5 განყ-ბა; ქიმ. და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა 6 განყ-ბა და მრეწველობაში მეცნ. გამოყენების განყ-ბა (დაარსდა 1918); 68 ნამდვილი, 14 თავისუფალი წევრი, 6 წევრია გამოუყენებით მეცნ. დარგში, 12 ფრანგი წევრი, რ-ებიც არ ცხოვრობენ პარიზში, 20 საზღვარგარეთელი წევრი და 120 წ.-კორესპონდენტი. აკადემია ანიჭებს პრემიებს, სტიპენდიებს; აჯილდოებს ლავუაზიესა და პუანკარეს სამეცნ. მედლებით. გამოცემები: „Comptes rendus" (1835-იდან), „Mémoires" (1666-იდან), „Notices et discours" (1924-იდან): ნატიფ ხელოვნებათა აკადემია (L'Académie des beaux-arts), შეიქმნა 1803 ფერწერისა და ქანდაკების აკად. (დაარსდა 1648) და არქიტ. აკად. (დაარსდა 1665) შეერთების შედეგად. აქვს ფერწერის, ქანდაკების, არქიტ., გრავიურის, მუს. კომპოზიციის სექციები. მის შემადგენლობაშია: 50 ნამდვილი, 15 საზღვარგარეთელი წევრი, 50 წ.-კორესპონდენტი. ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს პრემიაზე „le Prix du Rome". გამოცემებია: „Annuaire de l'Académie de beaux-arts" (1925-იდან) მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია („L'Académie des sciences morales et politiques"). აქვს ფილოს., მორალურ, სოც. მეცნიერებათა, კანონმდებლობის, საჯარო უფლებისა და იურისპრუდენციის, პოლიტ. ეკონ., სტატისტიკისა და ფინანსების ისტ. და გეოგრ. სექციები. აკადემიაშია 50 ნამდვილი, 12 საზღვარგარეთელი წევრი, 60 წ.-კორესპონდენტი. გამოცემებია: „Revue des travaux de l'Académie et comptes rendus de ses séances" (1842-იდან).

ს. 0-ს აქვს თავისი მიწის სამფლობელოები და შენობები საფრანგეთსა და საზღვარგარეთ, დიდი ბ-კა და მუზეუმები.

ს. 0-ის საზღვარგარეთელ წევრებად სხვადასხვა დროს არჩეული იყვნენ სახელოვანი რუსი და საბჭ. მეცნიერებიც.

საფრანგეთის კაპიტულაცია 1940, გერმანელ ფაშისტთა ჯარების შეტევითი მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ 10 მაისს — 24 ივნ., II მსოფლიო ომის (1939—45) დროს. ს. კ-ის მიზანი იყო ნიდერ., ბელგ., ლუქსემბურგის ოკუპაცია და საფრანგეთის ომიდან გამოყვანა. გერმ. ფაშისტთა სარდლობამ საბრძოლო მოქმედება 2 ეტაპად დაგეგმა (ოპერაცია „გელბი" და „როტი"). ოპერაცია „გელბის" განსახორციელებლად გენ.-პ. ვ. ფონ ბრაუხიჩს 136 დივიზია (არმიათა ჯგუფები — „ა", „ბ", „ც") დაუქვემდებარეს. მთავარი დარტყმა მიზნად ისახავდა „მაჟინოს ხაზის" შემოვლით მოკავშირეთა ფრონტის გაკეთებას, ნიდერ. დაპყრობას და ცენტრ. ბელგიაზე მოკავშირეთა მთავარი ძალების შებოჭვასა და განადგურებას. მოკავშირეებმა ჩრდ.-აღმ. ფრონტზე (გენ. ჟ. ჟორჟი) პა-დე-კალედან შეიცვარიამდე 111 დივიზიას მოუყარეს თავი. 10 მაისს გერმ. ჯარებმა დაიწყეს სტრატეგიული შეტევა. 14 მაისს ნიდერ. არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანელებმა მთავარი დარტყმის მიმართულებით მდ. მასი გადალახეს. 21 მაისს ლა-მანშის სანაპიროს მიაღწიეს და დიუნკერკთან (იხ. *დიუნკერკის ოპერაცია 1940*) მიიმწყვდიეს ბელგიის 22 და ინგლ.-საფრ. 28 დივიზია. 28 მაისს ბელგ. არმია დანებდა, ხოლო 4 ივნ. ინგლ.-საფრ. ჯარები დიდი დანაკარგით ინგლისში გადაიყვანეს. 5 ივნ. გერმანელებმა (130 დივიზია) დაიწყეს ოპერაცია „როტი". მდ. სომის ზღუდიდან სამხრ. და სამხრ.-დას. მიმართულებით შეტევაზე გადავიდა არმიათა ჯგუფი „ბ", ხოლო სამხრ.-აღმ. მიმართულებით — არმიათა ჯგუფი „ა". მაჟინოს ხაზის ზურგში გასასვლელად გერმ. ჯარები ქვეყნის სიღრმეში შეიჭრნენ. საფრ. მთავრობა 10 ივნ. პარიზიდან ბორდოში გადავიდა. 14 ივნ. პარიზი უბრძოლველად ჩაბარდა მტერს. ა. ფ. პეტენის მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. საფრანგეთის ტერიტ. უმეტესი ნაწილი გერმ. ფაშისტთა ჯარებმა დაიკავეს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია (სკპ; Le Parti Communiste Français), შეიქმნა 1920 დეკ. ტურის ყრილობაზე საყრანგეთის სოციალ. პარტიის (სფიო) გათიშვის შედეგად, როცა ამ პარტიის რევ. უმრავლესობამ გადაწყვიტა შეერთებოდა კომუნისტურ ინტერნაციონალს. სკპ-ის, როგორც ახ. ტიპის მარქსისტულ-ლენინური პარტიის, ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ვ. ი. ლენინის რჩევა-დარიგებამ, კომინტერნის რეკომენდაციებმა და ბოლშევიკური პარტიის გამოცდილებამ. სკპ თანდათან გათავისუფლდა და გაიწმინდა სოციალ-დემოკრატიული და ანარქისტულ-სინდიკალისტური გადმონაშთებისაგან. მის ხელმძღვანელობაში პროლეტ. კადრები მოვიდნენ. 1930 სკპ-ის გენ. მდივანი გახდა მ. *ტორეზი*. 30-იან წლებში, გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების (1933) შემდეგ, სკპ *სახალხო ფრონტის* ორგანიზატორი გახდა. II მსოფლიო ომის წლებში (1939—45) სკპ იატაკქვეშ გადავიდა და *წინააღმდეგობის მოძრაობის* მთავარ ორგანიზატორად იქცა. 1944—47 სკპ-ის წარმომადგენლები მთავრობაში შედიოდნენ. 40-იანი წწ. დამლევს—50 -იანი წწ. დამდეგს დაწყებული ე. წ. „ცივი ომის" პირობებში სკპ-მ მოღვაწეობის მთავარ მიზნად მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა დაისახა; გამოდიოდა ლოზუნგით: „ფრანგი ხალხი არასოდეს იომებს სსრ კავშირის წინააღმდეგ". საფრ. *მეხუთე რესპუბლიკის* (1958) რეჟიმის დამყარების შემდეგ სკპ-მ დიდი როლი ითამაშა რეაქციის წინააღმდეგ მასების დასარაზმავად. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ალჟირში კოლონ. ომის (1954—62) შეწყვეტისათვის წამოწყებულ მასობრივ მოძრაობას. 1968 დეკ. სკპ-ის ცკ პლენუმმა მიიღო მანიფესტი — „მოწინავე დემოკრატიისათვის, სოციალისტური საფრანგეთისათვის". 1971 სკპ-მ მიიღო სახ. ერთიანობის დემოკრ. მთავრობის პროგრამა. ეს პროგრამა საფუძვლად დაედო სკპ-ისა და სოციალ. პარტიის საერთო სამთავრობო პროგრამას (1972). სკპ-ის XXII ყრილობაზე (1976) მიიღეს დოკუმენტი „რა სურთ კომუნისტებს საფრანგეთისათვის". იგი სოციალიზმზე გადასვლასა და საფრანგეთში მისი აშენების პროგრამას წარმოადგენს. 1981 წ. 10 მაისს პრეზიდენტის და 14 და 21 ივნ. პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში კომუნისტები და სოციალისტები ერთობლივად გამოვიდნენ, რამაც უზრუნველყო სოციალ. პარტიის კანდიდატის ფ. მიტერანის პრეზიდენტად არჩევა და მემარცხენე ძალების აბსოლ. უმრავლესობის მოპოვება საფრ. ეროვნულ კრებაში; კომუნისტები მთავრობაში შევიდნენ. 1984 ივლ-ში, რიგ საკითხებში უთანხმოების გამო კომუნისტები მთავრობიდან გამოვიდნენ. სკპ-ს აქვს ორმხრივი კავშირი თითქმის ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიასთან, მონაწილეობდა მუშათა და კომუნისტური პარტიების საერთაშ. თათბირების მუშაობაში (მოსკოვი 1957, 1960, 1969). პარტია აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე. უმაღლესი ორგანოა ყრილობა. აერთიანებს 710 ათ. წევრს (1982 იანვ.) ბეჭდვითი ორგანოა გაზ. „იუმანიტე" (L'Humanité). გენ. მდივანი ჟ. *მარშე*.

საფრანგეთის პოლინეზია, იხ. *პოლინეზია საფრანგეთისა*.

საფრანგეთის რევოლუცია 1848, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რ-მაც დაამხო ივლისის მონარქია საფრანგეთში და დაამყარა მეორე რესპუბლიკა. სახ. აჯანყების შედეგად ლუი-ფილიპე გადადგა (24 თებ.) და შეიქმნა ბურჟ.-რეპ. დროებითი მთავრობა. 25 თებ. საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. სახ. მასების რევ. პროტესტის გაყალბებით გატარდა გარდაქმნები (თებ.-მარტი), პროლეტარიატმა მოიპოვა დემოკრ. თავისუფლებანი, „შრომის უფლება". შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება. მაგრამ შემდეგში ბურჟუაზიამ გააქარწყლა პროლეტარიატის მონაპოვარი. 1848 აპრილში შეიქმნა ბურჟ.-რესპუბლიკელთა მთავრობა, რ-მაც გაიმარჯვა დამფუძნებელი კრების არჩევნებში (23—24 აპრილი) და გამოსცა განკარგულება (23 ივნისი) „ეროვნული სახელოსნოების" დახურვის შესახებ. ეროვნ. სახელოსნოების დახურვამ გამოიწვია მუშათა შეიარაღებული აჯანყება (იხ. *ივნისის აჯანყება 1848*). ამ აჯანყებით შეშინებული ბურჟუაზია კონტრრევანაკში გადავიდა და მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა მონარქისტების წინაშე. 1849 მაისში ჩატარდა საკანონმდებლო კრების არჩევნები, გაიმარჯვა მონარქისტულმა „წესრიგის პარტიამ". ბურჟ. კონტრრევოლუციამ, რ-იც საკანონმდებლო კრებაში გაბატონდა, 1850 მაისში გააუქმა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება და გაწმინდა ნიადაგი მონარქიის რესტავრაციისათვის. 1851 წ. 2 დეკ. მსხვილი ბურჟ. მოხელეების, ოფიცრობის და კათოლ. სამღვდელოების მხარდაჭერით მოხდა სახელმწ. გადატრიალება, რ-ის შედეგად დამყარდა ლუი ბონაპარტის (ნაპოლეონ I-ის ძმისშვილი) სამხ.-ბურჟ. დიქტატურა. ფორმალურად დროებით შენარჩუნებულ იქნა რესპუბლიკა, მაგრამ 1852 წ. 2 დეკ. ბონაპარტისტებმა, რ-ებმაც მიიმხრეს გლეხობა, აღადგინეს მონარქია. საფრანგეთი გამოცხადდა იმპერიად (*მეორე იმპერია*). იმპერატორი გახდა *ნაპოლეონ III*. 1848 რევოლუციამ დიდი გაელენა მოახდინა ევრ. ქვეყნების რევ. მოძრაობაზე. ეს პირველი რევოლუცია იყო, რ-შიც პროლეტარიატი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გამოვიდა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტია, დაარსდა 1905, 1969-მდე ეწოდებოდა მუშათა ინტერნაციონალის საფრ. სექცია (სფიო). I მსოფლიო ომის (1914—18) დაწყებისთანავე მისი ხელმძღვანელობა აშკარა სოციალ-შოვინისტურ პოზიციებზე დადგა. ომის შემდგომი რევ. ალმავლობის პირობებში სფიო-ში დაიწყო ბრძოლა კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ჭეშმარიტად რევ. პარტიის შესაქმნელად. 30-იანი წლების პირველ ნახევარში პარტიაში შემარცხენე ტენდენციები გაძლიერდა. 1934 სფიო-ს ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა საფრ. კომპარტიასთან ერთობლივი მოქმედების პაქტს, ხოლო 1936 იანვ. — სახ. ფრონტის

პროგრამას. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს სფიო-ს დეპუტატების უმრავლესობამ ხმა მისცა საფრ. კაპიტულაციას, მიიწონა „ვიშის“ რეჟიმის დამყარება. პარტია ფაქტობრივად დაიშალა (1943 იატაკქვეშ განაახლა მუშაობა და მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში). 1947-იდან სფიო-ს წელმძღვანელობა ე. წ. „მესამე ძალის“ პოლიტიკას დაადგა. 1956—57 სფიო-ს ლიდერის გი *მოლეს* მთავრობამ კოლონ. ომი გააჩაღა ალჟირში. 1958 სფიო-ს ლიდერების ხელშეწყობით ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა შარლ დე *გოლი*, ისინი მონაწილეობდნენ *მეხუთე რესპუბლიკის* კონსტიტუციის შემუშავებაში. 1968 მიიღეს კანონი სფიო-ს დაშლის შესახებ. გამაერთიანებელ ყრილობაზე (1971 ივნ.) შეიქმნა ახ. სოციალ. პარტია ფ. *მიტერანის* თავ-რეობით. 1972 კპ-სა და სოციალ. პარტიას შორის მილწეულ იქნა შეთანხმება მემარცხენე ძალების ერთობლივი სამთავრობო პროგრამის შესახებ. 1981 პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა ფ. მიტერანმა. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. პარტია შედის სოციალ. ინტერნაციონალში. აერთიანებს 175 ათას (1977 ივნ.) წევრს. ბეჭდვითი ორგანოა ყოველკვირეული „იუნიტე“ (L'Unité).

საფრანგეთის სუდანი, საფრანგეთის კოლონია დას. აფრიკაში 1894—99, 1920—58 (1899—1920 ს. ს-ის ტერიტ. შედიოდა კოლონია ზემო სენეგალ—ნიგერის შემადგენლობაში). 1958 ს. ს-მა მიიღო საფრ. გაერთიანების წევრი სახელმწიფოს სტატუსი სუდანის რესპ. სახელწოდებით, 1960 სექტ-იდან არის დამოუკიდებელი რესპ. *ბალი*.

საფრანგეთის ცენტრალური მასივი, ცენტრალური მასივი (Massif Central), მთის მასივი საფრანგეთის ცენტრ. და სამხრ. ნაწილში. სიმაღლე 1886 *მ*-მდე (მთა პიუი-დე-სანსი). წარმოადგენს ეპიპერცინული ბაქნის მასივს, რ-მაც რამდენჯერმე განიცადა დანაოჭება. მასივის ჩრდ. ნაწილი (ოვერნი) აგებულია კამბრიულისწინა კრისტ. ფიქლებისაგან, რ-საც სამხრ-იდან აკრავს პალეოზოური დანაოჭების ზონა. მასივის სამხრ.-აღმ. ნაწილში ჰერცინული ასაკის სტრუქტურებია. ს. ც. მ-მა კარბონული პერიოდის შემდეგ განიცადა ხანგრძლივი დენუდაცია. კაინოზოურ ერაში აზევდა და დანაწევრდა ცალკეულ ლოდებად, რასაც თან სდევდა ინტენს. ვულკანიზმი. ანთროპოგენში განიცადა გამყინვარება. რელიეფში განვითარებულია ბაზალტური და კარსტული პლატოები, ჩამქრალი ვულკ. მასივები, მთები, ზეგნები და მერიდიანული მიმართულების ტექტონ. ხეობები. ჰავა ზომიერია, ოკეანისა. იცის გრილი ზაფხული. იელ. საშ. ტემპ-რა 11—16°C, იანვ. — დაახლ. 0°C. ქარბირა კალთებზე ნალექები 1200—1500 *მმ* წელიწადში (ალაგ-ალაგ უფრო მეტი), ქვაბულებში — 500—700 *მმ*. ს. ც. მ-ზე სათავე აქვს მდ. ლუარას, მდ-ების გარონისა და რონის მარჯვ. შენაკადებს. 1000 —1200 *მ* სიმაღლემდე შემოსილია ფართოფოთლოვანი და ფიჭვის ტყეებით, უფრო მაღლა, 1400 *მ*-მდე უმთავრესად სოჭის ტყეებია, ზევით — სუბალპ. მდელოები. ტყეს ტერიტ. 10—15% უჭირავს. ს. ც. მ-ის სამხრ. და სამხრ.-აღმ. კალთებზე გარიგის ტიპის ბუჩქოვანი რაყებია. ურანის, ქვანახშირის საბადოები, მინერ. წყლები.

საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870—71, ომი, ერთი მხრივ, საფრანგეთსა და პრუსიას, მეორე მხრივ. *ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის* სხვა სახელმწიფოებსა და სამხრ. გერმანიის (ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, ჰესენ-დარმშტადტი) სახელმწიფოებს შორის, პრუსიას სურდა გერმ. გაერთიანება თავისი ძალაუფლების ქვეშ, საფრ. დასუსტება და ევროპაში მისი გავლენის შემცირება. საფრანგეთი კი ცდილობდა შეენარჩუნებინა უპირატესი გავლენა ევრ. კონტინენტზე, არ დაეშვა გერმ. გაერთიანება და ძლევამოსილი ომით განემტკიცებინა მეორე იმპერია. ომის საბაბად იქცა *ემსის დეპეშა* 1870, რ-საც ო. *ბისმარკმა* განგებ მისცა საფრანგეთისათვის შეურაცხმყოფელი ხასიათი. 1870 წ. 19 ივლ. იმპ. *ნაპოლეონ III-მ* ომი გამოუცხადა პრუსიას. პირველ ეტაპზე პრუსიის მხრივ ამ ომს ისტორიულად პროგრესული ხასიათი ჰქონდა, რადგან მიმართული იყო ნაპოლეონ III-ის მიერ გერმ. გაერთიანების ხელის შეშლის ცდის წინააღმდეგ. გერმ. სახელმწიფოთა არმიები რიცხობრივად ჭარბობდნენ საფრ. არმიას და უკეთ იყვნენ შეიარაღებული და ორგანიზებული. საფრ. არმიის მობილიზაცია გაჭიანურდა. პრუსიის გენშტაბის უფროსის გენ. ჰ. *მოლტკეს* მიერ შემუშავებული საბრძოლო გეგმები უნაკლოდ განხორციელდა. 1 აგვ. საფრ. საზღვრებთან განლაგებული იყო გერმ. 3 არმია, საფრ. არმიებმა პირველსავე ბრძოლებში მარცხი განიცადეს. 19 აგვ. ნაპოლეონ III-მ მთავარსარდლობა მარშალ ა. ფ. ბაზენს დააკისრა. იგი შეეცადა შეერთებოდა შალონის არმიას, რ-საც მაკ-მაჰონი მეთაურობდა, რათა გაერთ. ძალით დაეცვათ პარიზის მისადგომები. მარს-ლა-ტურთან და სენ-პრივა—გრაველოტთან ბაზენის არმია დამარცხდა, მეცთან კი ალყაში მოხვდა. ნაპოლეონ III-ის ბრძანებით სედანის ციხესიმაგრეზე 2 სექტ. თეთრი ბაირაღი გამოკიდეს. სედანის კატასტროფამ ბიძგი მისცა 4 სექტ. რევოლუციას. მეორე იმპერია დაეშხო, საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ბურჟ. რესპუბლიკელების და ორლეანელების მთავრობა გენ. ლ. ჟ. ტროშიუს მეთაურობით (ეროვნ. თავდაცვის მთავრობა). 1870 სექტ. შეიცვალა ს.-პ. ო-ის ხასიათი. იგი საფრ. მხრივ სამართლიან, განმათ. ომად იქცა. 9 ოქტ. ლ. *გამბეტას* მეთაურობით შეიქმნა ე. წ. „სამთავრობო დელეგაცია“ ტურში (შემდეგ ბორდოში). ხალხის მასების მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ახ. არმია. 19 სექტ-იდან პარიზი ალყაში იმყოფებოდა. ქალაქს იცავდა 80-ათასიანი რეგულარული არმია და 450 ათ. ეროვნ. გვარდიის წევრი და ე. წ. მობილი (რ-ებსაც სამხ. წვრთნა არ ჰქონდათ). 27 ოქტ. მეცში ბაზენის არმია დანებდა გერმანელებს. საფრ. სხვა არმიებიც მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. უშედეგოდ დამთავრდა პარიზის ალყის გარღვევის ცდებიც. 1871 წ. 18 იანვ. ვერსალში გამოცხადდა გერმ. იმპერიის შექმნა. 28 იანვ. ხელი მოაწერეს დროებით, ხოლო 26 თებ. კი პრელიმინარულ ზავს. საფრ. მთავრობის ანტიხალხურმა პოლიტიკამ გამოიწვია ახ. რევ. აფეთქება. 18 მარტს პარიზში დაიწყო პირველი პროლეტ. რევოლუცია (იხ. *პარიზის კომუნა*). 1871 წ. 10 მაისს ფრანკფურტში ხელი მოაწერეს ზავს. გერმანიის გადაეცა ელზასი და ლოთარინგიის ჩრდ.-აღმ. ნაწილი. საფრანგეთს დაეკისრა კონტრიბუცია 5 მლრდ. ფრანკის ოდენობით და მის გადახდამდე ქვეყანაში უნდა დარჩენილიყვნენ გერმ. საოკუპაციო ჯარები. ფრანკფურტის ზავმა ევროპაში შექმნა ძალთა ახ. განლაგება და დაძაბულობის გამწვავების ფაქტორად იქცა. *ი. კობახიძე.*

საფრეზავი ჩარხი, 1. ლითონდამუშავებაში, *ლითონსაჭრელი ჩარხი*, რ-იც *ფრეზით* ამუშავებს ბრტყელ და მოყვანილ ზედაპირებს, ღარებს, კუთხვილებს, კბილა თვლის კბილებს და სხვ. დანიშნულების მიხედვით ს. ჩ. არის უნივერსალური (ჰორიზ., ვერტ., გრძივი), სპეციალიზებული (პირგადასაღებ-, კუთხვილ-, სოგმანსაფრეზავი, კარუსელური, დოლურსაფრეზავი და სხვ.), კონსტრუციის მიხედვით — კონსოლური და უკონსოლო. ს. ჩ-ში მთავარ ბრუნვითს მოძრაობას ასრულებს შპინდელში ჩამაგრებული ფრეზი. უნივერსალურ-კონსოლურ (ნახ. ა,) ს. ჩ-ში ნამზადი დამაგრებულია მაგიდაზე და ასრულებს გრძივ, განივ და ვერტ. მიწოდების მოძრაობებს. ფართოდ უნივერს. ს. ჩ-ის მაგიდა სპირალური ღარების დამუშავებისას შეიძლება მოვაბრუნოთ ჰორიზ. სიბრტყეში. ჰორიზონტალური და ვერტიკალური (ნახ. ბ) ს. ჩ-ების კინემატიკა და კონსტრუქცია ერთმანეთის ანალოგიურია. ჰორიზ. ს. ჩ-ის შპინდელი ჰორიზ. მდგომარეობაშია, ვერტიკალურისა კი — ვერტიკალურში. გრძივსაფრეზავი ჩარხი (ნახ. გ) ტორსული ფრეზებით ამუშავებს სიბრტყეებს მსხვილგაბარიტიან ნამზადზე, რ-იც სამარჯვეით ჩარხის მაგიდაზეა დამაგრებული და ასრულებს გრძივი მიწოდების მოძრაობას. ვერტ. დგარებზე განლაგებულია გვერდითი ფრეზის თავები და განივაზე ვერტ. ფრეზის თავები. მსხვილი დეტალების დასამუშ. ჩარხებში როგორც მთავარი, ისე მიწოდების მოძრაობა სრულდება ფრეზებით. პირგადასაყვან ს. ჩ-ზე ამუშავებენ რთული პროფილისა და ფორმის დეტალებს. იგი შეიძლება იყოს ერთ- და მრავალშპინდელიანი, მოქმედების პრინციპის მიხედვით— პირდაპირი და მიმყოლი. სოგმანსაფრეზავი ჩარხს იყენებენ სასოგმანე ღარების საფრეზავად, მუშაობს ნახევრად ავტომ. ციკლით. სასოგმანე ფრეზი ბრუნავს, ამავე დროს ასრულებს ღარის გასწვრივ გრძივ და სვლის ბოლოს ვერტ. მიწოდების მოძრაობას. კარუსელურ ს. ჩ-ზე ჩამოსხმულ ნაჭედს და დაშტამპული ნამზადების სიბრტყეებს ამუშავებენ ტორსული ფრეზებით. ჩარხის მაგიდა ასრულებს წრიული მიწოდების მოძრაობას. დოლურის ს. ჩ. ერთდროულად ამუშავებს ნამზადის ორ ტორსულ ზედაპირს, იყენებენ აგრეთვე ღარების საფრეზავად და სხვ.




2. ხის დამუშავებაში ს. ჩ-ით ამუშავებენ ნამზადების ბრტყელ, პროფილურ და მოყვანილ ზედაპირებს. მთავარ ბრუნვითს მოძრაობას ასრულებს ვერტ. შპინდელში ჩამაგრებული ფრეზი. განასხვავებენ მარტივ (ერთ- ან ორშპინდელიან), კარუსელური ტიპისა და პირგადასაღებ ს. ჩ-ებს. ერთშპინდელიანი ს. ჩ-ით ნამზადს ამუშავებენ მიმმართველი სახაზავების საშუალებით, ორშპინდელიან ს. ჩ-ში შპინდელები ბრუნავს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, რაც აადვილებს მრუდხაზოვანი ფორმის ნამზადების დამუშავებას. ბრტყელი და მოყვანილი ფრეზვისათვის იყენებენ ს. ჩ-ებს, რ-ებსაც აქვს კარუსელური ტიპის მბრუნავი მაგიდა, წვრილი, ზუსტი და სკულპტურული სამუშაოებისათვის კი — პირგადასაღებ ს. ჩ-ს, რ-საც აქვს თარგული მიწყობილობები.

ლიტ. იხ. სტ-თან ლითონსაჭრელი ჩარხი. *კ. ნუცუბიძე.*

საფრენი, ფრთისებრი გამონაზარდები ან ბეწვები მცენარის ნაყოფსა და თესლზე; ხელს უწყობს მათ გავრცელებას ქარის საშუალებით.

საფრინველე, შენობა, რ-შიც ზრდიან და ინახავენ სასოფლო-სამეურნეო ფრინველს. ფრინველთა სახეობის, ასაკის, სამეურნეო გამოყენებისა და მათი მოვლა-შენახვის სისტემის მიხედვით ს. სხვადასხვა სახისაა. მოზარდეულის გამოსაზრდელად იყენებენ ბრუდერჰაუზს, საბატარეო საამქროებს, აკლიმატიზატორებს, ხოლო მოზრდილი სადედე (ქათამი, იხვი, ინდაური, ბატი) და სამრეწვ. გუნდების ფრინველებისათვის — გალიისა და იატაკზე შენახვის ტიპის ს-ებს. ს., როგორც წესი, ერთსართულიანი კაპიტ. შენობაა, რ-შიც მოწყობილია წყალსადენი, კანალიზაცია, გათბობა, ვენტილაცია და სხვადასხვა ტექნოლ. დანადგარი.

საფრისჯა, სოფრუჯუ, მწვერვალი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3786 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი. ს-ის სამხრ. და ჩრდ. კალთებზეა ამავე სახელწ. მყინვარი.

საფრეზავი ჩარხი. საფრეზავი ჩარხების ძირითადი ტიპები: ა—უნივერსალური; ბ— ვერტიკალურ-საფრეზავი; გ—გრძივსაფრეზავი.



საფუარი სოკოები. საქარომიცეტის გვარის საფუარი სოკოები.



საქადაგიანო. წმ. დიმიტრის დარბაზული ეკლესია. 1498.

საფრიჭა, სოფრუჯუ. ულელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3550 *მ*. ს-ის მიდამოები აგებულია კამბრიულისწინა და ქვედაპალეოზოური კრისტალური ფიქლებით. ულელტეხილი მდ. ჩხალთის ხეობას (აფხ. ასსრ) აკავშირებს მდ. ამანაუზის (ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო) ხეობასთან.

საფრიჭა, მყინვარი აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვ. შენაკადი) აუზში. სიგრძე 2,4 *კმ*, ფართ. 3,2 *კმ*². მყინვარის ენა ეშვება ზ. დ. 3130 *მ*-ზე. საზრდოობს მწვ. საფრიჭისა და მის დას-ით მდებარე უსახელო მწვერვალების კალთებიდან ჩამონადენი მყინვარული ნაკადებით. მყინვარის ენიდან გამოედინება მდ. ჯგესარა. *რ. ბაზარაძე.*

საფრონტო თეატრები, პროფესიული თეატრალური კოლექტივები, რ-ებიც დიდი სამამულო ომის დროს (1941—45) ემსახურებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს ფრონტზე და ფრონტისპირა რ-ნებში. ს. მ-ს შორის იყო კიევის სამხ. ოლქის თეატრი, სმოლენსკის დრამ. თეატრი, ბალტიის ფლოტის წითელდროშოვანი თეატრი, კალინინის დრამ. თეატრი და სხვ. სულ 30-მდე ს. მ. შეიქმნა. მ. შ. 5 სრულიად რუს. თეატრ. საზ-ბისა, მოსკ. ე. ვახტანგოვის სახ. თეატრის, მცირე თეატრის, ლენინგრ. ა. პუშკინის სახ. დრამ. თეატრის, მ. გორკის სახ. დიდი დრამ. თეატრის საფრონტო ფილიალები. ზოგიერთი ს. მ., რ-იც შეიქმნა დიდი სამამულო ომის დროს, 1946-იდან საბჭ. არმიისა და სამხ.-საზღვ. ფლოტის მოძრავ და სტაციონარულ თეატრებად გადაკეთდა. 1943 მოსკოვში ჩატარდა ს. მ-ის დათვალიერება.

საფუარი სოკოები, საქარომიცეტები (Saccharomycetales), სოკოების რიგი *ჩანთიანი სოკოების* კლასისა. აერთიანებს 39 გვარის 360-მდე სახეობას. ს. ს-ის ყველაზე მარტივი სხეული წარმოადგენს ერთ უჯრედს, რ-საც სოკოს ყველა ძირითადი ნიშანთვისება ახასიათებს. ზოგჯერ უჯრედები შეიძლება შეერთდნენ ნამდვილ ან ცრუ მიცელიუმად, რაც ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია ზოგიერთი გვარისა და სახეობისათვის. უჯრედის სიგრძე 10 *მკმ*, ნამდვილი და ცრუ მიცელიუმისა კი ზოგჯერ 50 *მკმ* აღწევს. მრავლდებიან უსქესოდ და სქესობრივად. უსქესო გამრავლების უფრო გავრცელებული სახეა დაკვირტვა, რ-ის დროსაც წარმოიქმნება მრგვალი, ოვალური ან კვერცხისებური უჯრედები. შედარებით იშვიათია უჯრედის დაყოფით გამრავლება. სქესობრივი პროცესი *იზოგამია* ან *ჰეტეროგამიაა*. შეერთებული უჯრედებიდან წარმოიქმნება ჩანთა, რ-შიც ვითარდება ე. წ. ასკოსპორები. ს. ს-ს ხშირად აკუთვნებენ აგრეთვე ყველა იმ სოკოს, რ-იც დაკვირტვით და დაყოფით მრავლდება, მაგრამ ასკოსპორებს არ ივითარებს. ასეთი სოკოები უნდა მიეკუთვნოს *უსრულო სოკოების* კლასს. ს. ს. გავრცელებულია ყველგან, სადაც კი შაქარშემცველი პროდუქტები ან ნივთიერებებია. ბევრი მათგანი იწვევს სპირტულ დუღილს, რის გამოც ფართოდ იყენებენ ღვინის დაყენებისას, ლუდის წარმოებაში, პურის ცხობის დროს, რძის მრეწველობაში და სხვ. ს. ს. შეიცავენ ცილებს, ნახშირწყლებს, B ჯგუფის ვიტამინებს. ლუდის თხევად ს. ს-ს იყენებენ ანემიის, შაქრიანი დიაბეტის, ფურუნკულოზის, წყლულოვანი დაავადებების დ. სხვ. სამკურნალოდ. ს. ს-ს შორის გვხვდება პათოგენური ფორმებიც, რ-ებიც იწვევენ ადამიანისა და ცხოველის ბლასტომიკოზს და *კანდიდამიკოზს*. *ი. ნახუცრიშვილი.*

საფუვრის წარმოება, პურის საცხობი საფუვრის წარმოება. საფუარს ამზადებენ მელასისაგან — შაქრის წარმოების ნარჩენისაგან, რ-საც წყლით განზავების შემდეგ ქლორკირით დაამუშავებენ, გოგირდმჟავათი შეამჟავებენ, დაუმატებენ აზოტისა და ფოსფორის შემცველ საკვებ მარილებს და ადუღებამდე გაათბობენ, კოლოიდების დალექვის შემდეგ გადმოასხამენ გამჭვირვალე სითხეს და გაფილტრავენ. ლაბორატორიებში საფუვრის წმინდა კულტურებს ალაოს ტკბილზე ამრავლებენ; მიღებულ საფუარს გადასცემენ სუფთა კულტურების სამრეწველო საამქროს, სადანაც საფუვრის მასა გადაეცემა საფუარასაზრდელ აპარატს. საფუვრები იზრდება 12 *სთ*-ის განმავლობაში.

დადუღებული ტკბილისაგან საფუარს გამოყოფენ სეპარატორებით და ღებულობენ სქელ საფუვრის ნაღებს, რ-საც განაზავებენ ცივი წყლით და ხელმეორედ ჩაუტარებენ სეპარაციას. მიღებულ კონცენტრატს ტენს აცლიან ფილტრ-წნეხით ან ვაკუუმ-ფილტრით. დაწნეხილ საფუარს აურევენ და მიიღებენ ერთგვაროვან მასას. შემდეგ მას საყალიბებელ მანქანებზე აყალიბებენ 50, 100 და 1000 *გ* მასის ძელაკებად და ქაღალდში ახვევენ. შეხვეულ პაკეტებს აცივებენ —2°C-მდე.


საფურცლე, ისტორიული სოფელი აღმ. საქართველოში, არაგვის ხეობაში. ახლანდ. სოფ. *ნატახტრის* (მცხეთის რ-ნი) ძვ. სახელწოდება.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ჭარხლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

საფუტკრე, მეფუტკრეობის ფერმის საწარმოო ერთეული, რ-საც შეადგენს მიწის ნაკვეთზე განლაგებული ფუტკრის ოჯახები და ფუტკრის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ნაგებობანი. ს. შეიძლება იყოს სტაციონარული ან მომთაბარე. სტაციონარული ს. მთელი სეზონის განმავლობაში ერთ ადგილზეა. მომთაბარეს შეიძლება რამდენიმე საღალე ადგილი ვამოეცვალოს. საქართველოში ძირითადად მომთაბარე ს-ებია. ს-დ არჩევენ თბილ, უქარო ადგილს, ჭაობების, წყალსატევების, ცხოველთა სადგომების, საკონსერვო ქ-ნებისა და საკონდიტრო ფ-კებისაგან მოშორებით. ს-თვის კარგია ისეთი ტერიტ. გამოყოფა, სადაც ნარგავებია და 2 *კმ* რადიუსით ბევრი თაფლოვანი მცენარეა. ს-ის შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ მისადგომი გზები, სტიქიური საშიშროებანი (ნაღვარი, ზვავი), მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობა და სხვ. ა. *ბიდეშელი.*

საფუძრები (ყოფ. მჟავისი), სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (ახალსოფლის სოფსაბჭო), ბედენის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ბზისწყლის (ალგეთის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1250 *მ*, თეთრი წყაროდან 144 *კმ*. მანგლისის მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა დაბა მანგლისში (14 *კმ*). ბ-კა.

საფხვიერებელი, მუხლუხა ტრაქტორის მისაბმელი ან კიდული მოწყობილობა, იყენებენ მძიმე გრუნტის (თიხის, თიხნარისა და მისთ.) გასაფხვიერებლად, აგრეთვე ძვ. ასფალტბეტონის გზის საფრის დასანგრევად რემონტის დროს. ს-ის მუშა ორგანოს, რ-იც დამონტაჟებულია მზიდ ჩარჩოზე, აქვს კბილები და ცვეთამდეგი ბუნიკები.



საფხვიერებელი.

საქადაგიანო, სოფელი კასპის რ-ნში (აღაიანის სოფსაბჭო), მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 520 *მ*, კასპიდან 30 *კმ*. ქსნის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი. სოფლის სამხრ.-დას-ით, შემაღლებულ ადგილზე დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — წმ. დიმიტრის სახელობის პატარა დარბაზული ეკლესია. აღმ. ფასადის წარწერაში ალნიშნულია აშენების თარიღი (1498) და მშენებელთა სახელები. ნაგებია უსწორმასწორო ფორმის ქვიშაქვის ლოდებით, რ-თა გარეთა პირი სუფთად არის დამუშავებული. შესასვლელი ორია. შიგნით კამარა პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობა. აღმ-ით ნახევარწრიულად აფსიდი აქვს. ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესია გარშემო დახურული იყო მწვანედ მოჭიქული კრამიტით. დასავლეთის მინაშენი უფრო გვიანი ხანისაა.

საქალაქო საბჭო, იხ. სტ. *საბალბო დეპუტატების საბჭოები.*

საქალაქო სასწავლებლები, სასწავლებლები ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის და მოსამსახურეთა შვილებისათვის. შეიქმნა დას. ევროპაში XVII ს-ში (ბიურგერთა სკოლები), რუსეთში — 1872 დებულებით სამაზრო სასწავლებელთა ბაზაზე აქ იღებდნენ შეძლებული გლეხის შვილებსაც. სწავლება 6-წლიანი და ფასიანი იყო. დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლოთ შესვლა დაბალ პროფსასწავლებლებში ან 1—2-წლიან პედ. კურსებზე. 1912 ს. გადაკეთდა *უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებად.*

საქალაქო ტრანსპორტი, სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის კომპლექსი, რ-სა ქალაქის ტერიტორიასა და უახლოეს საგრეუნო ზონებში გადაჰყავს მოსახლეობა და გადაზიდავს ტვირთს, აგრეთვე ასრულებს ქალაქის კეთილმოწყობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. ს. ტ-ის განვითარება და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება გავლენას ახდენს მშრომელთა *დროის ბიუჯეტზე.*

ს. ტ-ში შედის ტრანსპორტის საშუალებები (მოძრავი შედგენილობა); სამოსვლო მოწყობილობები (ლიანდაგი, გვირაბი, სადგური, ბიდი და გზაგამტარი საჩერებელი პუნქტი, სადგომი ადგილი ესტაკადა); ნავმისადგომი და ნავსადგური ენერგომომარაგების საშუალებები (წევითი ელექტროქვესადგური, კაბელური ქსელი, კონტაქტური ქსელი, ბენზინჩასასმელი სადგური); სარემონტო სახელოსნო ქარხანა; დეპო და გარაჟი; ტექნიკური მოსახურების სადგური, ავტომობილის გაჩერების პუნქტი; სახაზო მოწყობილობა (კავშირგაბმულობა, სიგნალიზაცია, ბლოკირება); დისპეტჩერული მართვა.

ს. ტ. არის სამგზავრო, სატვირთო და სპეც. დანიშნულებისა. სამგზავრო ს. ტ-ში შედის: მასობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი) და არასაგზაო ჩქარუღელი ტრანსპორტი (მეტროპოლიტენი, ჩქარი ტრამვაი, მონორელსიანი გზა, კონვეიერული ტრანსპორტი); მსუბუქი ავტომობილური ტრანსპორტი (ტაქსომოტორი, საუწყებო და პირადი მანქანები); ორთვლიანი ტრანსპორტი (მოტოციკლი, მოტოროლერი, მოპედი, ველოსიპედი): წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი (სამდინარო „ტრამვაი" ძრავიანი და სანაჩბავი ნავები, საბორნე გადასასვლელი, ბაგირგზა, შვეულმფრენი).

რევოლუციამდელ რუსეთში ს. ტ. სხვა მოწინავე კაპიტალ. ქვეყნებთან შედარებით სუსტად იყო განვითარებული. მისი განვითარება მხოლოდ საბჭ. ხელისუფლების წლებში დაიწყო. ს. ტ-ში მთავარ როლს ასრულებს მასობრივი საზ. ტრანსპორტი, რ-იც სსრკ ყველა ქალაქს ემსახურება. მის ყველა სახეობა (ავტობუსი, მეტროპოლიტენი, ტრამვაი, ტროლეიბუსი) არსებობს სსრკ 8 ქალაქში (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ხარკოვი, ტაშკენტი, თბილისი, ბაქო და ერევანი), ტრამვაი—110 ქალაქში, ტროლეიბუსი — 165, ავტობუსი — 24 ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებაში. 1982 მგზავრთა შიდასაქალაქო გადაყვანის საერთო სარგებლობის ავტობუსებით შეადგინა 29,7 მლრდ. კაცი (1965 —14,4 მლრდ. კაცი), მგზავრბრუნვამ — 169 მლრდ. მგზავრკილომეტრი, ხოლო 1 მგზავრის გადაყვანის საშ. მანძილმა — 5,8 *კმ* (1

იგი შესაბამისად უდრიდა 47,1 და 4,0). საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტობუსებით საგარეუბნო მგზავრთა გადაყვანამ შეადგინა 11898 მლნ. კაცი (1965 — 3385 მლნ. კაცი), მგზავრბრუნვამ — 145,3 მლრდ. მგზავრ-კილომეტრი (1965 — 34,0 მლრდ. მგზავრ-კილომეტრი), ხოლო 1 მგზავრის გადაყვანის საშ. მანძილმა — 12,2 *კმ* (1965 — 10,1 *კმ*). 1981 საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მსუბუქმა ტაქსომოტორებმა გადაიყვანეს 1,478 მლნ. კაცი (1965 — 717 მლნ. კაცი). ფართოდ განვითარდა საქალაქო სამგზავრო ელექტრონული ტრანსპორტიც. 1982 ცალფა ტრამვაის გზის საექსპლუატაციო სიგრძე 9 332 *კმ* იყო (1965 — 7 312 *კმ*), ტროლეიბუსის ხაზისა — 14889 *კმ* (1965—5016 *კმ*), ხოლო მეტროპოლიტენის საექსპლუატაციო გზის სიგრძე ორსავალიანი გამოთვლით — 356 *კმ* (1965 — 147 *კმ*). ტრამვაის სამგზავრო ვაგონების რაოდენობა 21,2 ათ. იყო (1965 — 20,9 ათ.), ტროლეიბუსისა — 25,0 ათ. (1965 — 10,2 ათ), მეტროპოლიტენის სამგზავრო ვაგონებისა — 4,9 ათ. (1965—1,7 ათ.). მათ გადაიყვანეს 21,2 მლნ. კაცი (1965 — 14,2 მლნ. კაცი).

საბჭოთა საქართველოში ფუნქციონირებს ს. ტ-ის ყველა სახეობა. ქ. თბილისში მასობრივი საზ. ტრანსპორტის ყველა სახეა განვითარებული. 1983 მეტროპოლიტენის საექსპლუატაციო ხაზის სიგრძემ ორსავალიანი გამოთვლით შეადგინა 19 *კმ* (1966—6 *კმ*). რესპუბლიკაში საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტობუსებით მგზავრთა შიდასაქალაქო გადაყვანამ მიაღწია 383 მლნ. კაცს (1965 — 266,7 მლნ. კაცს), საგარეუბნოთი კი — 259,3 მლნ. კაცს. (1965 — 85,1 მლნ. კაცს). დიდად განვითარდა საქალაქო სამგზავრო ელექტრული ტრანსპორტის ყველა სახეობა. 1983 ცალფა ტრამვაის გზის საექსპლუატაციო სიგრძემ შეადგინა 100,1 *კმ* (1940—84 *კმ*). ტროლეიბუსის ხაზის სიგრძემ — 410 *კმ* (1940—16 *კმ*). გაიზარდა სამგზავრო ტროლეიბუსების რაოდენობა, რ-მაც ნაცვლად 215 ერთეულისა (1965) შეადგინა 476 ერთეული (1983), ხოლო ტრამვაის ვაგონების რაოდენობა რამდენადმე შემცირდა (1983 იყო 122 ერთეული, 1965 კი — 285 ერთეული). 1983 ტრამვაით გადაყვანილ იქნა 49,4 მლნ. კაცი (1965 — 107 მლნ. კაცი), ტროლეიბუსებით—123.8 მლნ. კაცი (1965 წ. — 85,3 მლნ. კაცი), მეტროპოლიტენით — 142,5 მლნ. კაცი (1966 — 21,5 მლნ. კაცი).

რესპუბლიკაში განვითარდა საქალაქო ტრანსპორტის ისეთი ახ. სახეობა, როგორიც არის ბაგირგზა. საქართველოში პირველი ბაგირგზა გაიხსნა 1905 თბილისში, მთაწმინდაზე. მისი საექსპლუატაციო გზის სიგრძეა 0,5 *კმ*. ამ გზით 1983 გადაყვანილ იქნა 716,4 ათ. კაცი (1970 — 260,0 ათ.), 1959 მწყობრში ჩადგა რუსთაველის პროსპექტ—მთაწმინდის საბაგირო გზა (0,91 *კმ*), რ-მაც 1983 გადაიყვანა 505,2 ათ. კაცი (1970 — 458,8 ათ.), 1966—ვაკე—კუს ტბის, ბაგირგზა (1,17 *კმ*), 1983 მოემსახურა 130,3 ათ. კაცს (1970—92,1 ათ.), ხოლო 1978—დელისი—ლისის ტბის. ბაგირგზები არის აგრეთვე ქ. ჭიათურაში და (1983 გადაყვანილ იქნა 1987 ათ. კაცი), ქ. ქუთაისში (1983 — 185,7 ათ. კაცი).

სატვირთო ტრანსპორტი მოიცავს საერთო და სპეც. დანიშნულების სატვირთო, სატვირთო-ტაქსომოტორულ საავტომობილო ტრანსპორტს; სატვირთო ელექტროტრანსპორტსა და საჭაპანო ტრანსპორტს.


სპეციალურ ს. ტ-ში შედის ქალაქის მომსახურე სპეციალიზებული ავტომობილების პარკი (თოვლსაწმენდი და თოვლასაღები, ჭურის საგველი, სახვეტი, ასანძრო, სანიტ. მანქანები და სხვ.).

ნ. ხუციშვილი.

საქარა, ზესტაფონის რ-ნის სოფლების *ზედა საქარისა* და *ქვედა საქარის* ძვ. სახელწოდება.

საქარაზა, ფერმენტი, რ-იც აკატალიზებს ფრუქტოზასა და გლუკოზას შორის არსებული გლუკოზიდური კავშირის ჰიდროლიზურ გაწყვეტას დისაქარიდ *საქაროზასა* და ზოგიერთ ტრისაქარიდში. მოქმედებს სუსტი მჟავე რეაქციის დროს (pH-4-5). ს. დიდი რაოდენობითაა ცხოველების საჭმლის მომნელებელ წვენებში, მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში.

საქარბავი მანქანა, მანქანა, რ-საც იყენებენ ქსოვილის, ტრიკოტაჟის, ტყავისა და სხვა მასალის ზედაპირის მოსაქარგავად. საყოფაცხოვრებო პირობებში, ზოგჯერ ფ-კებშიც საქარგავად ხმარობენ შესაბამის ჩვეულებრივ სამარჯვებიან საკერავ მანქანებს. ქარგვა უფრო მოსახერხებელია ზიგზაგ-მანქანით, რ-ის ნემსის ბიჯი ადვილად იცვლება ჰორიზ. მიმართულებით. მასობრივ წარმოებაში ფართოდ იყენებენ დიდმწარმოებლურ მრავალთავიან საქარგავ ავტომატს (ნახ.) — ჩვეულებრივ საკერავი მანქანებისაგან შედგენილ საერთოამბრავიან აგრეგატს. აგრეგატში შემავალი ყველა მანქანის ქარგას ერთ ჩარჩოში აყენებენ. ქარგები ერთი მექანიზმის მეშვეობით ერთდროულად ერთნაირი მიმართულებით მოძრაობს. მანქანა ავტომატურად ყველა ქარგაზე ერთნაირ სახეს ქარგავს. ს. მ-ით ქარგვა შეიძლება ნაცურით, ჯვარედინად და სხვ.



საქარგავი მანქანა. მრავალთავიანი ნახევრად ავტომატური საქარგავი მანქანა.

საქართველო, ქვეყანა (ტერიტორია) და სახელმწიფო, რ-იც ძირითადად ქართველებით არის დასახლებული. თავდაპირველად (X ს.) ტერმ. „ს“. ეთნ.-კულტ. ცნება იყო და გულისხმობდა ქართის ტომისა და *ქართლის* კულტურული ეგიდით ყველა ქართველური და ზოგიერთი არაქართველური ტომის კულტურულ ერთობლიობას. ისტ. განვითარების შემდგომ ეტაპზე ტერმინმა უფრო ფართო კულტურულ-პოლიტ. შინაარსი შეიძინა — და გამოხატავდა როგორც ქართველურ, ისე არაქართველურ ტომთა ეთნ.-კულტ.-რელიგ.-სოც.-ეკონ.-პოლიტ. ერთობლიობას, რ-ის საბოლო ფორმა — ერთიანი სახელმწიფო — XI ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. XII—XIV სს-ში ს-დ იწოდებოდა უკვე მთლიანი ქრისტ. და ნაწილობრივ მუსლ. კავკასია. XV ს-ში სახელმწიფოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ტერმ. „ს-მ“ დაკარგა პოლიტ. შინაარსი. უცხოელთათვის ტერმ. „ს.“ (რუს. გრუზია, სომხ. ვრასტან., სპარს.-თურქ. გურჯისტან და სხვ.) უფრო მეტად ეთნ.-გეოგრ. ცნებაა, თუმცა სპარსელები მეტწილად ქვეყნის აღმ. მხარეს ქართლსა და კახეთს გულისხმობდნენ, ხოლო ოსმალები — იმერეთს, გურიას, სამეგრელოს. 1801 ქართლ-კახეთის სამეფოს, მომდევნო ხანებში კი, სხვა ქართ. პოლიტ. ერთეულთა რუს. იმპერიასთან შეერთების შემდეგ ს. ეთნ.-გეოგრ.-კულტ. ცნება გახდა; ადმ.-ტერიტორიულად (პოლიტ. შინაარსით) იგი 2 გუბერნიას (თბილ. და ქუთ.) და 2 ოლქს (ოკრუგს) (ბათუმის და სოხუმის) მოიცავდა. მენშევიკების ბატონობის წლებში (ოფიციალურად 1918 წ. 26 მაისიდან) „ს-ს“ პოლიტ. შინაარსი ჰქონდა — იგი ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. 1921 წ. 25 თებიდან ს-მ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სტატუსი შეიძინა და საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა გახდა. ს.—საქ. სსრ—სსრკ-ში შემავალი ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკაა. იხ. ტ. *საქართველოს სსრ.*

დ. მუსხელიშვილი.

საქართველო (Kartvelia), მცირე ცთომილი N 787. აღმოაჩინა გ. *ნეუიმინმა* 1914 წ. 25 იანვ. სიმეიზის (ყირიმი) ობსერვატორიაში. მანვე უწოდა სახელი საქართველოს პატივსაცემად. ს-ს საშ. მანძილი მზიდან 483 მლნ. *კმ*-ია, მზის ირგვლივ მიმოქცევის პერიოდია 5,8 წ, საშ. ვარსკვლავიერი სიდიდე 14,6.

„საქართველო“, ქართული გაზეთი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო. გამოდიოდა 1903—05 პარიზში. რედაქტორები ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი და თ. სახოკია, გამომცემელი— გ. დეკანოზიშვილი, ასოთამწყობი—მ. კიკნაძე, თანამშრომლობდნენ ა. ჯორჯაძე, თ. სახოკია; ზ. ავალიშვილი; გაზეთი გამოდიოდა აგრეთვე ფრანგ. ენაზე „*ლა ჟორჟის*“ სახელწოდებით.

„საქართველო“, ქართული ყოველკვირეული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი; გამოდიოდა 1908 თბილისში. რედ.-გამომცემელი — ვ. გუნია. აშუქებდა საქართვ. ეროვნ. საკითხებს. თანამშრომლობდნენ ვ. წერეთელი, მ. წერეთელი, მ. ჯანაშვილი, დ. დეკანოზიშვილი და სხვ. იბეჭდებოდა ა. წერეთლის, ნ. ლორთქიფანიძის, ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის და სხვა ქართვ. მწერალთა ნაწარმოებები; ო. შმერლინგის, დ. კაკაბაძის, ს. შანშიაშვილის, ა. გოგიაშვილისა და სხვათა კარიკატურები და სურათები. დაიხურა ადგილ. ხელისუფლების განკარგულებით.

„საქართველო“, ქართული ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა; გამოდიოდა 1915—21 თბილისში ჟურნ. „*კლდის*“ ნაცვლად. რედ.-გამომცემელი — ს. შანშიაშვილი (1915 — 16), 1917-იდან — გ. ვეშაპელი. ადგილ. ხელისუფლებამ გაზეთი დახურა. ამ პერიოდში გამოდიოდა „ახალი საქართველოსა“ (1919 — 20) და „იერის“ (1920—21) სახელწოდებებით. 15—17 წლებში „ს-ს“ ჰქონდა სურათებიანი დამატება.

„საქართველო“, ქართული ილუსტრირებული ყოველკვირეული ჟურნალი, გაზ. „*საქართველოს*“ (1915—21) დამატება; გამოდიოდა 1915—17 თბილისში. რედ. გამომცემელი — ს. შანშიაშვილი. იბეჭდებოდა მხატვრული ლიტ-რის ნაწარმოებები, ილუსტრაციები და კარიკატურები. გამოქვეყნდა ე. ზოლას, რ. თაგორის, ე. ვერჰარნის, მ. ჰარტმანის და სხვათა ცალკეული ნაწარმოებების თარგმანები; ვ. ერისთავის, მ. თოიძის, გ. გაბაშვილის, ს. ციმაკურიძის, ი. ნიკოლაძის, ა. გოგიაშვილის, ო. შმერლინგისა და სხვათა ილუსტრაციები.

საქართველო-ბიზანტიის ომები XI საუკუნეში, I. 1021—23. გაერთიანებული საქართველოს მეფე *გიორგი I-მა* ისარგებლა ბიზანტ. იმპ. ბასილი II-ის ბულგარელებთან ომით და 1014—16 შეიჭრა სამხრ. ტაოში, რ-იც თავის დროზე ბასილი II-მ *დავით III* კურაპალატს ჩამოართვა (იხ. *იბერიის თემი*). 1018 ბასილი II ბულგარეთიდან ძლევამოსილი დაბრუნდა და გიორგი I-ს მოსთხოვა დაკავებული ტერიტ. დაცლა. გიორგიმ უარი შეუთვალა. 1021 ბასილიმ ბიზანტ. ჯარი დაძრა საქართველოს წინააღმდეგ. გიორგი I-ისა და მისი მოკავშირეების — კახეთ-ჰერეთის, ანისის, ვანანდიისა და ვასპურაკანის მეფეთა ლაშქარი ჯერ ბასიანში დაბანაკდა, მაგრამ შემდეგ ბრძოლას გაერიდა, ქ. ოლთისი გადაწვა და კოლაში დაიხია. ბიზანტ. ჯარი დაედევნა უკანდახეულ გიორგი მეფეს და სოფ. შირიმწთან წამოეწია. სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაიღუპნენ ერისთავი რატი ბაღვაში და ხურსი, ქართველები დამარცხდნენ და უფრო ღრმად დაიხიეს. ბასილი II შეიჭრა არტაანში, ჯავახეთსა და თრ-

იალეთში, სასტიკად მოაოხრა ეს მხარეები, შემდეგ უკან გამობრუნდა, კვლავ ააოხრა ჯავახეთი და არტაანი და მოახლოებული ზამთრის გამო დატოვა საქართველო. საზამთროდ ბასილიმ ტრაპიზონის მიდამოებში დაიბანაკა. აქ მასთან გიორგი I-ის მოციქულები მივიდნენ და ზავი შესთავაზეს, ამასთან ისინი ზავის საბოლოოდ დადებას აჭიანურებდნენ. ამ დროს თვით ბიზანტიაში იმპერატორს აუჯანყდნენ მისი დიდებულები ქსიფე და ფოკა. გიორგი მეფემ გადაწყვიტა ამით ესარგებლა და ახ. ომისთვის სამზადისს შეუდგა. მაგრამ ბასილიმ დაამარცხა აჯანყებულები, შეიპყრო ისინი, ფოკას მოკვეთილი თავი გიორგი I-ს გამოუგზავნა და თავისი ჯარი კვლავ საქართველოსაკენ დაძრა. ქართველები დამარცხდნენ და ფრიად დაზარალებულებმა უკან დაიხიეს. გიორგი I იძულებული იყო ზავი ეთხოვა. 1022/23 ზავით საქართვ. მეფემ დაუთმო ბიზანტიას რაც კი მიწები ჰქონდა ტაოში, ბასიანში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში, დაცალა ადრე დაკავებული ციხეები და 3 წლით მძევლად მისცა ტახტის მემკვიდრე ბაგრატი.

II. 1028. ბასილი II-მ 1025 ბიზანტიაში მძევლად მყოფი ბაგრატი პირობისამებრ საქართველოში გამოისტუმრა, იმავე წელს კეისარი გარდაიცვალა და ახ. იმპ. კონსტანტინე VIII-მ სცადა ბაგრატის უკან დაბრუნება, მაგრამ უფლისწულმა საქართვ. ფარგლებში შეასწრო. 1027 ახალგამეფებულ ბაგრატ IV-ს უღალატეს ტაოელმა აზნაურებმა და ბიზანტ. მხარეზე გადავიდნენ. 1028 იმპერატორმა საქართველოს წინააღმდეგ დიდძალი ჯარი გამოგზავნა. ბიზანტ. ჯარმა კვლავ მოაოხრა არტაანი, ჯავახეთი, თრიალეთში შეიჭრა და კლდეკარის ციხის აღება სცადა, მაგრამ ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ შეძლო თავისი რეზიდენციის დაცვა. მდგომარეობა გაართულა იმ გარემოებამ, რომ ბაგრატს კვლავ უღალატეს ადგილ. აზნაურებმა და თავისი ციხეები მტერს გადასცეს. ასევე მტრის მხარეზე გადავიდნენ შავშეთის აზნაურებიც. მაგრამ ამ მხარეში შემოსეული მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ითავა ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ და შავშეთი დაიცვა. მაშინ ბიზანტ. სარდალმა სცადა ბაგრატ IV-თვის დაეპირისპირებინა ბაგრატიონთა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი — ბიზანტიაში გადახვეწილი დემეტრე გურგენის ძე და მოსყიდვითა და დაპირებებით, „წვრილი ერის", ე. ი. მწარმოებელი მოსახლეობის გადაბირებაც კი შეძლო. მდგომარეობა ძალზე გართულდა, მაგრამ ამ დროს გარდაიცვალა კონსტანტინე VIII, ხოლო ახ. იმპ. რომანოზმა სხვა პოლიტ. გეზი აირჩია და საქართველოდან ჯარი გაიწვია. 1029/30 კონსტანტინოპოლს გაეგზავნა ბაგრატის ღედა მარიამ დედოფალი და ბიზანტიასთან სამშვიდობო ურთიერთობას მიაღწია.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე; არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974; გიორგი კედრენე, წგნ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963; იაკობ ანტიოქიელი, მატიანის გაგრძელება, წგნ.: Розен В. Р., Император Василий Болгаробойца, СПб., 1883.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965. *ნ. ლომოური.*

საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულება 1918, ხელშეკრულება, რ-იც დაიდო მენშევიკური საქართველოს მთავრობასა და ოსმალეთს შორის 4 ივნისს. ბრესტის ზავის დადების შემდეგ თურქები ბათუმის, ყარსისა და არტაანის მხარის დაკავებას მოითხოვდნენ. ამიერკავკ. სეიმი ზავის პირობებს არ ცნობდა, ამიტომ თურქები ამიერკავკასიაში შეიჭრნენ. წარუმატებელი წინააღმდეგობის შემდეგ ამიერკავკ. სეიმი იძულებული გახდა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება დაეწყო. ამ მიზნით თებ. ტრაპიზონში გაემგზავრა დელეგაცია ა. ჩხენკელის მეთაურობით. თურქ. დელეგაციამ ბრესტის ზავის პირობების შესრულება და ამიერკავკ. „დამოუკიდებლობის" გამოცხადება მოითხოვა. მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქებმა შეტევა განაახლეს — — დაიკავეს ყარსი, არტაანი, ბათუმი, ოზურგეთი. სეიმი იძულებული გახდა ეცნო ბრესტის ზავის პირობები, მაგრამ სეიმი მაისში დაიშალა. 26 მაისს საქართველო რესპუბლიკად გამოცხადდა. „დამოუკიდებელი" საქართვ. მთავრობამ გერმანელები მოიწვია. მაისში ბათუმში განახლდა მოლაპარაკება გერმანელთა თანდასწრებით, მაგრამ ისევ ჩაიშალა და თურქებმა შეტევა კლავ განაახლეს. საქართვ. მთავრობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა ოსმალეთთან „მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებაზე". თურქ. მიერ თავს მოხვეული პირობები ამჯერად უფრო მძიმე იყო, ვიდრე ბრესტის ხელშეკრულებისა. ოსმალეთს გადაეცა ბათუმის და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. საქართველოს ჩამოშორდა დაახლ. 10 ათ. კმ² ტერიტ. და 350 ათ. მცხოვრები. გარდა ამისა, საქართველო ვალდებული იყო განეიარაღებინა თავის ნავსადგურებში მყოფი გემები, მოეხდინა ჯარის დემობილიზაცია და რკინიგზები გადაეცა ოსმალეთის განკარგულებაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; ჩხარტიშვილი ს., საბჭოები საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში, თბ., 1977. *რ. კოჭლამაზაშვილი.*

„საქართველოს აგიტატორი", საქართველოს კპ ცკ-ის ორკვირიული ჟურნალი. გამოდიოდა 1963-იდან თბილისში (1943 დაარსდა *„აგიტატორის ბლოკნოტის"* სახელწოდებით და 1973-მდე იყო საქ. კპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ-ბის ჟურნალი). 1977 ივნისიდან ჰქვია „პარტიული სიტყვა".

„საქართველოს არქივი", სამეცნიერო ჟურნალი, რ-საც სცემდა საქ. სსრ ცენტრალური არქივი 1926—27 *„საისტორიო მოამბის"* პირველი სერიის შემდეგ. რედაქტორი — ალ. წერეთელი. ჟურნალში გამოქვეყნებულია მასალები საარქივო საქმის თეორ. საკითხებზე, არქივების ორგანიზაციის, ფონდების დაცვა-მოწესრიგების, მასალების დამუშავების მეთოდოლ. საკითხებზე. ამასთან ერთად დაბეჭდილია გამოკვლევები საქართვ. ისტ., ქართ. ენისა და ლიტ-რის და საერთოდ ქართ. კულტ. ისტ. ცალკეულ საკითხებზე.

სულ გამოვიდა 3 წიგნი (I — 1926, II და III — 1927). I წიგნში დაბეჭდილია საბჭ. მთავრობის დეკრეტი საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ, არქივის სხვადასხვა ქვეგანყოფის მუშაობის ინსტრუქციები და წესები. II და III წიგნი ძირითადად მეცნ. გამოკვლევებს შეიცავს.

შ. ხანთაძე.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს სსრ არქიტექტორთა ნებაყოფლობითი საზ.-შემოქმედებითი ორგანიზაცია. ჩამოყალიბდა 1934 წ. 15 თებერვალს (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები).

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, საქ. ა ლ კ კ. იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო. ყრილობებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს ადგილ. ორგანიზაციების მთელ მუშაობას, ამოწმებს მათ საქმიანობას და სისტემატურად ისმენს საოლქო, რაიონული, საქალაქო კომიტეტების ანგარიშებს; წარმოადგენს კომკავშირს ხელმწ., საზ. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; ირჩევს საქ. ალკკ ცკ-ის ბიუროს, ცკ-ის მდივნებს; ამტკიცებს საქ. ალკკ ცკ-ის განყ-ბათა გამგეებს, „კომკავშირული პროჟექტორის" რესპ. შტაბის თავ-რეს, კომკავშირული გაზეთების *„ახალგაზრდა კომუნისტის"*, *„მოლოდიოჟ გრუზიის"*, *„ნორჩი ლენინელის"*, ჟურნალების *„ცისკრის"*, *„პიონერის"*, *„დილას"* მთავარ რედაქტორებს. საქ. ალკკ ცკ-ი ირჩევს საქ. კომკავშირის ყრილობა, საქ. ალკკ XXXII ყრილობამ 1982 აპრ. აირჩია საქ. ალკკ ცკ, საქ. ალკკ ცკ-ის პირველი მდივანია ვ. ლორთქიფანიძე. *შ. თეთვაძე.*

საქართველოს ბელტი, საქართველოს ერთ-ერთი გეოტექტონიკური ერთეული. 1942 გამოყო ა. ჯანელიძემ, რ-მაც დაასაბუთა, რომ დედამიწის ქერქის სტაბილურ და შედარებით ლაბილურ უბნებს შორის თვისებრივი განსხვავება უშუალოდ გამოხატულებას პოულობს დანალექი საფრის ფაციესებსა და დისლოკაციის ხარისხში. ს. ბ-თვის დამახასიათებელია ზეწრული ნაოჭები და ნალექების ბაქურისებრი ხასიათი. იგი ჩამოყალიბდა ბაიკალურ და ჰერცინული ოროგენეზისების გავლენით დედამიწის ქერქის კონსოლიდაციის შედეგად. ალპ. განვითარების ოროგენულ ეტაპზე მისი უმეტესი ნაწილი მთათაშუა როფად გადაიქცა. ს. ბ. შედგება დასავლეთი დაძირვის, ცენტრალური აზევების და აღმოსავლეთი დაძირვის ზონებისაგან. დასავლეთი დაძირვის ანუ კოლხეთის ზონა უმთავრესად აგებულია ნეოგენური და ანთროპოგენური ასაკის მოლასური წარმონაქნებით, რ-ებიც ფარავენ სუსტად დისლოცირებულ მეზოზოურ და კაინოზოურ ნალექებს. ცენტრალური აზევების ზონა მოიცავს *ძირულის მასივს* და ოკრიბა-ხრეითის აზევებას. ძირულის მასივში გაშიშვლებულია ს. ბ-ის იურულისწინა კრისტალური სუბსტრატი. ოკრიბა-ხრეითის აზევება აგებულია მეზოზოური და კაინოზოური ნალექებით. ს. ბ-ის აღმოსავლეთი დაძირვის ანუ ქართლის ზონა უმთავრესად აგებულია ქვედა ოლიგოცენური და მიოპლიოცენური მოლასებით, რ-ებიც ფარავენ ს. ბ-ის სუსტად დისლოცირებულ მეზოზოურ და კაინოზოურ დანალექ კომპლექსს.

ლიტ.: ჯანელიძე ა., საქართველოს ბელტის პრობლემა, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1942, ტ. 3, № 1—2. *ე. გამყრელიძე.*

„საქართველოს ბუნება", საქ. სსრ სტატეთა მეურნეობის სამინისტროსა და საქ. სსრ ბუნების დაცვის სახელმწ. კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო პოპულარული ილუსტრირებული ჟურნალი. გამოდის თბილისში 1959-იდან. იბეჭდება სამეცნ.-პოპულარული ხასიათის წერილები ბუნების დაცვის საკითხებზე, მხატვრული ნაწარმოებები (მოთხრობები, ლექსები, ჩანახატები და სხვ.), ბუნების დამკველთა შრომის ამსახველი სტატიები, ესსეები ბუნების ძეგლებზე, რეცენზიები და სხვ. ტირაჟი 36 ათ. (1980).

ე. ბართაია

საქართველოს ბუნების დაცვის მხარდაჭერა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოებისა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რ-იც მიზნად ისახავს მოსახლეობის ფართო მასებს გააცნოს საქართვ. ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, ამასთან პროპაგანდა და პოპულარიზაცია გაუწიოს ბუნების დაცვას. შეიქმნა 1965 წ. 25 აპრ. ვ. *გულისაშვილის* და ნ. *კეცხოველის* თაოსნობით, ა. *ფაღავას*, ვ. მირზაშვილის, ლ. აზმაიფარაშვილისა და სხვ. მონაწილეობით. მის ზეგუმში 6 განყ-ბაა: ჰავის, წყლების, ნიადაგების, საძოვრების, ტყეებისა და ფაუნის. პირველ დარბაზში წარმოდგენილია საქართვ. ჰავის ყველა ძირითადი ელემენ

ტის მაჩვენებელი, მათი ნაირგვარობა ვერტ. პარტყლების მიხედვით, მდინარეთა წყლიანობა, ზედაპირული ჩამონადენი, წყალსატევები, თერმული და მინერ. წყლები. მეორე დარბაზში ექსპონირებულია საქართვ. —ნახევრად უდაბნოს, ველის, სუბალპ. მაღალბალახეულობისა და ალპ. მდელოს ნიადაგთა ნიმუშები.

მესამე დარბაზი ეთმობა საქართვ. ტყეს. ყოველი ვერტ. სარტყლისათვის ექსპონირებულია შესატყვისი სამუზეუმო მასალა (მერქნის, თესლებისა და ფოთლების ნიმუშები, სათანადო ცხრილები, დიაგრამები, ფოტოები და სხვ.).

მეოთხე დარბაზში წარმოდგენილია საქართვ. ფაუნა (ძუძუმწოვრები და ფრინველები). *ი. ყიფშიძე.*

„საქართველოს გაზეთი“, პირველი ქართული ყოველკვირეული გაზეთი, ადგილ. ხელისუფლების ოფიც. გამოცემა; დაარსდა 1819 წ. 8 მარტს თბილისში; 1820-იდან გამოდიოდა „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით. იბეჭდებოდა ცენტრ. და ადგილ. მთავრობის ბრძანებები, განკარგულებები, სტატიები რუს. და საქართვ. საშინაო მდგომარეობაზე, საზღვარგარეთის ამბები, მოთხრობები, ანეკდოტები, განცხადებები და სხვა მასალა, რ-იც შესანიშნავად ასახავს ამ პერიოდის საქართვ. სოც.-პოლიტ. და კულტ. ვითარებას. ტირაჟი დაახლ. 150—200.

ლიტ.: გუგუშვილი პ., ქართული ჟურნალისტიკა, ტ. 1, თბ., 1941.

ი. ლორთქიფანიძე.

„საქართველოს განათლების მუშაკი“, საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ყოველთვიური პროფესიულ-პედაგოგიური ჟურნალი. გამოდიოდა 1923—29 თბილისში (1925-იდან 1928-ოქტ-მდე — 2 კვირაში ერთხელ). 1923—24 გამოსცემდა განათლების მუშაკთა სახლი, 1925-იდან — განათლების მუშაკთა კავშირი. აშუქებდა სახ. განათლებისა და პედ., აგრეთვე პოლიტ. და ეკონ. საკითხებს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, იხ. *დამფუძნებელი კრება.*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფო. შეიქმნა 1918 წ. 26 მაისს, *ამიერკავკასიის სეიმის* გაუქმების შემდეგ, როდესაც *საქართველოს ეროვნულმა საბჭომ* საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო საქართვ. სახელმწიფოებრიობის აღდგენა ბურჟ. რესპუბლიკის სახით. ეროვნულმა საბჭომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით“ გამოაცხადა, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე რესპ. აღმასრ. ორგანოთა დროებითი მთავრობა, რ-იც პასუხისმგებელი იქნება ეროვნ. საბჭოს წინაშე. შეიქმნა კოალიციური დროებითი მთავრობა, რ-საც სათავეში ჩაუდგა ნ. რამიშვილი.

ს. დ. რ-ის საკანონმდებლო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები ბურჟ. სახელმწიფოს მოწყობას ემსახურებოდა: 1918—19 მიიღეს სასამართლოს რეორგანიზაციის კანონები; დაამტკიცეს უზენაესი საჯასაციო და კანონმდებელი დაწესებულების სენატის დებულება; ჩატარეს საერობო თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები; გააუქმეს გუბერნიები და შექმნეს 21 სამაზრო-საერობო თვითმმართველობა. 1918 მთავრობამ და პარლამენტმა გაატარეს სამხ. უწყების რეორგანიზაცია. საქართვ. პარლამენტმა ახ. გვარდია აღიარა სახელმწ. სამხ. ორგანიზაციად; შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად გამოაცხადეს საქართვ. პარლამენტი. 1919 იანვ. საქართვ. პარლამენტმა გამოსცა კანონი მიწის სახელმწ. საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიყიდვის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ბურჟ. საკუთრების დაცვა-განმტკიცებას. 1920 საქართვ. დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა *ამიერკავკასიის კომისარიატის* 1918 თებ. დადგენილება მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. ამით მიწის თითქმის მთელი ფონდის ხელში ჩაგდების საშუალება მიეცა სოფლის ბურჟუაზიას.

1919 თებ. აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, რ-მაც მარტში შეადგინა ს. დ. რ-ის ახ. მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით. საქართვ. დამფუძნებელმა კრებამ აირჩია საკონსტიტუციო კომისია, რ-მაც კრებას განსახილველად წარუდგინა საქართვ. პირველი კონსტიტუციის პროექტი. 1919 შეიქმნა სატარიფო პალატა, რ-საც მუშების ხელფასი უნდა მოეწესრიგებინა. ეს იყო პარიტეტული ორგანო, სადაც მეწარმეებთან ერთად მუშებიც შედიოდნენ. ამ ორგანომ მუშათა მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა.

ს. დ. რ-ის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრებოდა საბჭ .რუსეთისადმი საქართვ. ბურჟ. და წვრილბურჟ. პარტიების, მენშევიკების მტრული დამოკიდებულებით და იმპერიალ. სახელმწიფოებზე მათი ორიენტაციით. ს. დ. რ-ის მთავრობამ 1918 მაისში გერმანელები მოიწვია, მათი წასვლის შემდეგ, 1918 დეკ-ში — ინგლისელები, რ-ებიც აქ დარჩნენ 1920 ივლ-მდე.

1918 ს. დ. რ-ს გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა თურქეთთან. თურქებმა დაარღვიეს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და შემოიჭრნენ საქართველოში. ბურჟ. სახელმწიფო დენიკინსა და ვრანგელს თანაუგრძნობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც.

მენშევიკურმა მთავრობამ სცადა ს. დ. რ-ის საერთაშ. აღიარების მოპოვება — 1918 სექტ. ანტანტის მთავრობებს აცნობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. პარიზის საზავო კონფერენციაზე გაგზავნეს ს. დ. რ-ის დელეგაცია. მრავალჯერ მიმართეს საფრ., ინგლ. და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს, რათა ეცნოთ ს. დ. რ. 1918 ბოლოს ს. დ. რ. ცნეს ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, შვეიცარიამ, დანიამ, შვეიცარიამ, ნორვეგიამ. დასავლეთის დიდმა იმპერიალ. სახელმწიფოებმა 1920 იანვ. დე ფაქტოდ, ხოლო 1921 იანვ. კი დე იურედაც ცნეს ს. დ. რ. 1920 წ. 7 მაისს საბჭ. რუსეთმა და ს. დ. რ-მ ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რ-იც ლენინურ სამშვიდობო და ეროვნ. პოლიტიკაზე იყო დაფუძნებული. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი ცნობდა საქართველოს სახელმწ. დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობდა უარს ყველა იმ უფლებაზე, რ-ითაც სარგებლობდა მეფის რუსეთი საქართველოს მიმართ. საბჭ. რუს. სრულუფლებიან წარმომადგენლად ს. დ. რ-ში დაინიშნა ს. კიროვი.

ს. დ. რ-ის ბურჟ. სახელმწ. მშენებლობისა და განმტკიცების ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. 1921 წ. 25 თებ. საქართველოში საბჭ. ხელისუფლებამ გაიმარჯვა. შეიქმნა საქართველოს სსრ. 1921 მარტში საქართვ. რევკომმა გააუქმა ს. დ. რ-ის სახელმწ. დაწესებულებები (სენატი, სასამართლო, პალატა, დამფუძნებელი კრება და სხვ.).

ლიტ.: მახარაძე ნ., დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971; სიდამონიძე უ., საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970; სურგულაძე ა., სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918—1921 წწ.), თბ., 1957. *უ. სიდამონიძე.*

„საქართველოს ეკონომისტი“, 1974-იდან გამოდის „ეკონომისტის“ სახელწოდებით. ქართული ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ჟურნალი; გამოდის 1925-იდან. 1974-იდან საქ. კომპარტიის ცკ-ის ჟურნალი; გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „ეკონომისტი“ (1925—26), „საქართველოს ეკონომისტი“ (1926—31), „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ (1931—41), „საქართველოს სახალხო მეურნეობა“ (1967—73). 1941 ჟურნალის გამოცემა შეწყდა, განახლდა 1958. სხვადასხვა დროს იყო საქ. სსრ უმაღლესი ეკონ. საბჭოს, საქ. სსრ უმაღლესი ეკონ. საბჭოსა და საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის, საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომისიისა და მიწსახკომის, საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწ. საგეგმო კომისიის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწ. საგეგმო კომისიის, საქ. სსრ ახ. მეურნ. საბჭოსა და საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწ. საგეგმო კომიტეტის ორგანო. ჟურნალს რედაქტორობდნენ: ს. ჩიხლაძე, ვ. ავაქოვი, ა. კვირიკაძე, რ. მელაძე, კ. თარგამაძე, პ. გუგუშვილი, ს. ინწკირველი, თ. გოქსაძე, ი. კრავცოვი (1976-იდან). ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდება როგორც მარქსისტულ-ლენინური ეკონ. თეორიის, ისე სამეურნეო მშენებლობის, განსაკუთრებით საქ. სსრ ახ. მეურნ. წინაშე მდგარი აქტუალური საკითხები. *ი. შურღაია.*

საქართველოს ეროვნული საბჭო, საქართველოს წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლობითი ორგანო. 1917 წ. 19—23 ნოემბ. მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ესერებისა და ბურჟ.-ლიბერ. საზ. ორგანიზაციების მონაწილეობით თბილისში ჩატარდა „საქართველოს ეროვნული ყრილობა“, რ-მაც აირჩია ს. ე. ს. მისი უმთავრესი ორგანიზატორები იყვნენ ქართვ. მენშევიკები. მათ მიზნად დაისახეს ს. ე. ს-ში გაეერთიანებინათ სოციალ. რევ. მოწინააღმდეგე საქართველოში მოქმედი მთელი ძალები; ს. ე. ს. უნდა ყოფილიყო მთელი ერის სრული კლასობრივი ჰარმონიის გამოხატულება; კლასობრივი ბრძოლა უნდა შეცვლილიყო „სამოქალაქო ზავით“. ს. ე. ს-ში შეიკრიბნენ მენშევიკები, „ალეონის“ ჯგუფის წარმომადგენლები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, რადიკალ-დემოკრატები, უპარტიოები. 1917 წ. 20 ნოემბ. შედგა ს. ე. ს-ს I სხდომა ა. ჩხენკელის თავ-რეობით. ს. ე. ს-მ აირჩია აღმასკომი. ს. ე. ს. ცდილობდა კლასობრივი ბრძოლის შენელებას, ეწეოდა ანტისაბჭ. და ანტიბოლშევიკურ საქმიანობას. ს. ე. ს-მ 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა „საქართველოს დამოუკიდებლობა“, შეიქმნა დროებითი მთავრობა. 1918 წ. ს. ე. ს. საქართველოს პარლამენტად გადაკეთდა. *უ. სიდამონიძე.*

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროსი, შეიქმნა საქართვ. ცენტრ. ზოოტექნიკური სადგურის (1927), საქართვ. ვეტერინარიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (1929) და საქართვ. ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინ-ტის (1932) ბაზაზე საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა. არქიტექტორების: ბ. ბარქაია, ო. თუხარელი, თანაავტორი ვ. გასილიძე. 1973. თბილისი. კრწანისი.



1959. ამზადებს ზოოინჟინრებსა და ვეტექიმებს. ინ-ტში ტარდება სამეცნ.-კვლ. მუშაობა მეცხოველეობის, ეეტ. და საკვებწარმოების დარგში. ინ-ტში 5 ფაკ-ტია: ზოოსაინჟინრო, საველტერინარო, დაუსწრებელი სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საზ. პროფესიათა. ფუნქციონირებს 2 სამეცნ. სექტორი: ზოოტექ. და საველტერინარო; აგრეთვე სახელშეკრულებო თემატიკის სამეცნ.-კვლ. სექტორი; მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული 2 სამეცნ. საბჭო; ასპირანტურა, 24 კათედრა, 29 განყ-ბა — ლაბორატორია, 4 კაბინეტი, ბ-კა (347 ათზე მეტი წიგნადი ფონდი), 3 მუზეუმი, სპორტ. კომპლექსი, გლდანის ექსპერ. ბაზა; სამტრედიის, გულრიფშისა და წითელი წყაროს საყრდენი პუნქტები; ქიმიოთერაპიული და ბიოლ. პრეპარატების ექსპერ. ქ-ნა. სასწ.-ექსპერ. მეურნ. (1,5 ათ. ჰა-მდე სახნავი ფართობი, 1250 მსხვ. რქ. საქონელი, მ. შ. 350 ფური, 7500 ცხვარი, 400 ღორი, 20 ათ. ფრთა ფრინველი). არსებობის მანძილზე ინ-ტმა მოამზადა 4501 ზოოინჟინერი, 3978 ვეტექიმი. ინ-ტი უშვებს „სამეცნიერო შრომებს". 1983 ინ-ტი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის" ორდენით. *გ. აგლაძე. კ. კაპანაძე.*

საქართველოს თამბაქოს მრეწველობა, „საქთამბაქომრეწვი", რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანება, რ-შიც შედის თამბაქოს საფერმენტაციო ქ-ნები (5), თამბაქოს ფ-კები (4), და მარნეულის თამბაქოს დამზადების კანტორა. ქართ. თამბაქო („აფხაზური", „სამსუნი" და „ტრაპეზუნდი") თავისი საგემოვნო თვისებებითა და არომატულობით ცნობილია არა მარტო სსრკ-ში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე თამბაქოს ფერმენტაცია ხდებოდა პრ.-მიტრულად. 1926-იდან, პირველად მსოფლიოში, დაიწყო თამბაქოს ნედლეულის ფერმენტაცია ქ-ნული წესით.

1981-თვის საქართველოში ხუთი თამბაქოს საფერმენტაციო ქ-ნა იყო, რ-თა საერთო წლიური სიმძლავრე 17,7 ათ. ტ შეადგენდა. ქ-ნები განლაგებულია ლაგოდეხში, ბათუმში, სოხუმში, გუდაუთასა და განთიადში. ეს ქ-ნები მსხვილი მექანიზებული საწარმოებია.

რევოლუციამდელ საქართველოში წერილი ფ-კების რიცხობრივი სიმრავლის მიუხედავად, პაპიროსის წლიური წარმოება 500—600 მლნ. ც. ძლივს აღემატებოდა. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, განსაკუთრებით 30-იან წლებში, საქართველოში პაპიროსის წარმოებას უკვე სამრეწვ. ხასიათი ჰქონდა. წერილი კუსტ. ფ-კები ლიკვიდირებული იყო და მათ ნაცვლად შეიქმნა 4 მძლავრი ფ-კა: თბილ. №1 და №2, ბათ. და სოხუმის ფ-კები, რ-თაც 1981-თვის 22,5 მლრდ. ც. სიგარეტი და პაპიროსი გამოუშვეს.

პაპიროსებისა და სიგარეტების გამოშვება 1921—60 წლებში 37-ჯერ გაიზარდა.

1960-იდან თამბაქოს ფ-კებში დაინერგა „დკ" და „დკო" სისტემის სიგარეტის დამტენი მანქანები, რის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. ამავე პერიოდში თბილ. №1 და №2 თამბაქოს ფ-კებში დაინერგა 70 *მმ*-იანი ფილტრიანი სიგარეტების დამამზადებელი იმპორტული ხაზები, რამაც საშუალება მისცა წარმოებას გამოეშვა ახ. სახის პროდუქცია სიგარეტები—„თბილისი" და „დაისი". თბილ. თამბაქოს №2 ფ-კაში 1967 ექსპლუატაციაში შევიდა „მოლინსის" ფირმის ინგლ. და „სასიბის" ფირმის იტალ. მაღალმწარმოებლური დანადგარები.

1970-იდან თამბაქოს ფ-კებში დაიწყო მაღალმწარმოებლური სიგარეტის დამტენი „დეკაიოტის" ტიპის მანქანების დანერგვა, ამ მანქანებმა შეცვალა მოძველებული ტიპის მანქანები. თბილ., სოხუმისა და ბათ. თამბაქოს ფ-კები აღჭურვილია მაღალმწარმოებლური, უმაღლესი ხარისხის ფილტრიანი სიგარეტის დამამზადებელი იმპორტული ხაზებით, რ-ებზეც მზადდება 80- და 85-*მმ*-იანი ფილტრიანი სიგარეტები—„ივერია", „კოლხეთი", „საბჭოთა საქართველო", „მზიური", „ლუქსი", „კოსმოსი", „გონიო", „მტკვარი". „საბჭოთა საქართველომ" ქ. პლოვდივში (ბულგარეთი) 1974 გამართულ საერთაშ. გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო.

საქართვ. თამბაქოს ფ-კებში მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1980-ში 1975-თან შედარებით 31,2%-ით გაიზარდა.

შ. მჭედლიშვილი.

საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი შოთა რუსთაველის სახელობისა, უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, თავდაპირველად ჩამოყალიბდა ა. ფაღავას ხელმძღვანელობით შოთა რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული თეატრ. სტუდიის ბაზაზე, რ-იც განათლ. სახ. კომისარიატის დადგენილებით (1923) გადაკეთდა თეატრ. ინ-ტად (სამხატვრო ხელმძღვანელი კ. მარჯანიშვილი, დირექტორი ა. ფაღავა). ამ დროს პედაგოგებად მუშაობდნენ კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, ი. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, ნ. შიუკაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, კ. გამსახურდია, ა. შანიძე და სხვ. 1927 ინ-ტი კვლავ სტუდიურ მუშაობას დაუბრუნდა (1933 შეიქმნა სტუდია შოთა რუსთაველის სახ. და კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრებთან, 1935 — კინოსტუდიასთან), ხოლო 1939 ა. ხორავასა და ა. ფაღავას ინიციატივით თეატრებთან არსებული სტუდიების ბაზაზე საქართვ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტი, რ-საც ეწოდა იმავე წელს შოთა რუსთაველის სახელი. ს. თ. ი-ს აქვს 10 კათედრა: სკკპ ისტ. და მეცნ. კომუნიზმის, ფილოს., მსახიობის ოსტატობის, დრამისა და ტელერეჟისურის, კინორეჟისურის, სასცენო მოძრაობის, სასცენო მეტყველების, თეატრის და კინოს ისტ. და თეორიის, ზოგადი ფილოლ., მუს. დისციპლინების. ინ-ტი ამზადებს კადრებს დრამის, მუს. კომედიის, თოჯინების, პანტომიმის, მინიატიურების თეატრებისათვის, კულტ.-საგანმ. დარგის მუშაკებს, თეატრმცოდნეებს, კინორეჟისორებს, კინოოპერატორებს. კადრებს ამზადებენ აგრეთვე აფხ., ოსეთის,ჩაჩნ.-ინგ., ყუმუხეთის, დაღ., თურქმენეთის თეატრებისათვის. არსებობის მანძილზე ინ-ტმა გამოუშვა ათასზე მეტი მსახიობი, ასზე მეტი რეჟისორი, ორასზე მეტი თეატრმცოდნე; დადგა ორასზე მეტი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლი და კინოფილმი. პედაგოგებად მუშაობდნენ და მუშაობენ: ა. ხორავა, ა. ვასაძე, დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, ს. ზაქარიაძე, ვ. ყუშიტაშვილი, გ. ტოესტონოგოვი, კ. ანდრონიკაშვილი, ვ. ტაბლიაშვილი, ვ. ბერიძე, პ. ზაქარაია, ლ. რჩეულიშვილი, ლ. იოსელიანი, დ. ბენაშვილი, გ. კიკნაძე, ა. გაწერელია, კ. პატარიძე, დ. ჯანელიძე, ლ. გვარამაძე, შ. მაჭავარიანი, ა. მიქელაძე, კ. ბადრიძე, ა. თავზარაშვილი, მ. მრევლიშვილი, ა. რუბინი, ე. გუგუშვილი (რექტორი — 1973-იდან), ვ. კიკნაძე (პრორექტორი 1973-იდან), ე. შაფათავა, ნ. შვანგირაძე, ნ. ურუშაძე, ნ. შალუტაშვილი, ე. თოფურიძე, ო. ფირალიშვილი, რ. მიქელაძე, ა. კიკნაძე, მ. ყვარელაშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, ე. შენგელაია, ლ. ღოღობერიძე, ლ. პაატაშვილი, გ. დოლიძე და სხვ. ს. თ. ი-ში მოღვაწეობს 9 ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, 13 პროფესორი. ინ-ტში აღიზარდნენ სსრკ სახ. არტისტები: ო. მელვინეთუხუცესი, რ. ჩხიკვაძე, მ. თუმანიშვილი, რ. სტურუა, საქ. სსრ სახ. არტისტები: თ. არჩვაძე, გ. გეგეჭკორი, მ. გეგეჭკორი, მ. ჩახავა, ლ. აბაშიძე, მ. თბილელი, თ. თეთრაძე, ბ. კობახიძე, ე. მანჯგალაძე, კ. მახარაძე, გ. საღარაძე, ს. ყანჩელი, ე. ყიფშიძე და სხვ. რეჟისორები: ლ. იოსელიანი, მ. კუჭუხიძე, ლ. პაქსაშვილი, გ. ჟორდანია, ლ. მირცხულავა, შ. გაწერელია, ნ. დემეტრაშვილი, ს. მრევლიშვილი, ა. შალიკაშვილი, გ. ქავთარაძე, თ. ჩხეიძე და სხვ. აღზრდილთა შორის 6 სსრკ სახელმწ. პრემიის, 2 რუსთაველის სახ., 8 მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატია. 1969 ინ-ტში ჩამოყალიბდა თეატრისა და კინოს ისტ., თეორიის სამეცნ.-კვლ. სექტორი (ხელმძღვ. დ. ჯანელიძე) 1977 ინ-ტთან შეიქმნა სასწავლო კინოსტუდია. 1983 გაიხსნა ინ-ტის (140-ადგილიანი) სასწავლო თეატრი. გამოსცემს წლიურ სამეცნ. შრომების კრებულს „თეატრმცოდნეობითი ძიებანი". აქვს ბ-კა. *კ. ნინიკაშვილი.*

საქართველოს თეატრალური საზოგადოება, იხ. ტ. *საქართველოს სსრ,* თავი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები.

საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება, შეიქმნა 1975. უფრო ადრე 1930—66 იყო საქთევზმრეწვის ტრესტი, რ-იც 1966 გადაკეთდა საქთევზმრეწვის საწარმოო სამმართველოდ.

ს. თ. მ. ს. გ-ში შედის: ფოთის საოკეანო თევზის სამმართველო, აჭარის ასსრ თევზმჭერი ფლოტის სამმართველო, სოხუმის თევზის დასამუშ. კომბინატი, გაგრის თევზის დასამუშ. ქ-ნა, საქართვ. შიდაწყალსატევების თევზის მეურნ. კომბინატი, ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და გაგრის თევზის მომპოვებელი კოლ-ბები.

ს. თ. მ. ს. გ. თევზს მოიპოვებს მსოფლიო ოკეანეებში, შავსა და აზოვის ზღვაში, საქართვ. შიდა წყალსატევებსა და თევზსაშენ სატბორე მეურნეობებში.

თევზის დასამუშ. საწარმოები მოპოვებული თევზის ნედლეულისაგან ამზადებენ დამარილებულსა და სურნელოვან-დამარილებული თევზის პროდუქციას. რესპ შიდა წყალსატევებში მოპოვებული თევზის — კობრი, სიგი, ბრამული, ლოქო შამაია, კალმახი და სხვ. — რეალიზაცია ხდება ძირითადად ცოცხალი და გაციებული სახით, ხოლო ოკეანეებში მოპოვებული თევზისა — გაყინული, შებოლილი დამარილებული და კონსერვების სახით

საქართვ. თევზის მრეწვ. საწარმოები თევზის დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების, მდარე ჯიშის თევზისა და ზღვის ცხოველებისაგან ამზადებენ თევზის ფქვილს, რ-საც ფართოდ იყენებენ ცხოველებისა და ფრინველების საკვებად. საქართვ. თევზის მრეწვ. სწრაფად განვითარებასთან ერთად მომზადდა მეთევზეთა კვალიფიციური კადრები. *შ. ლობჟანიძე*

საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება, იხ *საქართველოს სსრ,* თავი საზოგადოება

საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო (იხ. ტ *საქართველოს სსრ,* თავი ხელოვნება; ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები).

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა 1960. ინ-ტის შემადგენლობაში საცდელი საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, ბათ. და ქუთ. ფილიალები, თბილ. და თეთრი წყაროს ექსპერ. ქ-ნები, 12 დარგობრივი და ფუნქციური ლაბორატორია ინ-ტი სსრკ კვების მრეწვ. სამინისტროს სისტემაში სათავო ორგანიზაციაა ეთერ ზეთებისა და ნატურალური სანელებლები წარმოების ტექნოლ. დარგში. ინ-ტის მეცნ. კვლევის მთავარი მიმართულებაა მრეწვ. ლობისათვის თანამედროვე ტექ. და ტექნოლ. შემუშავება და დანერგვა, მცენარეული საკვები ნედლეულის ახ. სახეების გამოვლენა, შესწავლა, მათი რაციონალური შენახვისა და გადამუშავების მეთოდები

დადგენა, წარმოების ნარჩენების სამრეწვ. გამოყენება. ინ-ტი აპროექტებს, ამზადებს და ნერგავს უწყვეტი მოქმედების მექანიზებულ ხაზებს, საცდელ-საწარმოო საამქროებსა და უბნებს. 1965—71 გამოიცა ინ-ტის შრომების 5 ტომი.

„საქართველოს კოლმეურნე“, ქართული ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალი. საქ. სსრ სოფ. მეურნ. და დამზადების სამინისტროს ორგანო; გამოდიოდა 1953—60 წლებში. მისი წინამორბედი იყო ჟურნ. „სოციალისტური სოფელი“ (1951—53). „ს. ჯ.“ აშუქებდა სკკპ აგრ. პოლიტიკის, სოფ. მეურნ. მეცნ. და წარმოების, სოფლის ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. ჟურნალის რედაქტორი იყო ე. მახათაძე. ტირაჟი 9 ათასი. *გ. ქველაძე.*

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, კომპოზიტორებისა და მუსიკათმცოდნეების ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი გაერთიანება, ჩამოყალიბდა თბილისში 1932. პირველი თავრე იყო დ. არაყიშვილი, 1984-იდან — ს. ციხცაძე. ამჟამად ს. კ. კ-ში გაერთიანებულია 141 მუსიკოსი. იხ. ტ. *საქართველოს სსრ,* თავი — საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები.

„საქართველოს კომუნისტი“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი. გამოდის 1930 აპრ-იდან თბილისში; 1952 ოქტ-მდე „ბოლშევიკი“ ერქვა. ჟურნალის რედაქტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ კ. ორაგველიძე, პ. შარია, ი. ნავაძე, ა. ნუცუბიძე, დ. მჭედლიშვილი, ს. ნანიტაშვილი, ი. ნატროშვილი, გ. ფირცხალავა, შ. გაგოშიძე, გ. ვარდოსანიძე, ა. ქარუმიძე. 1982-იდან რედაქტორია ვ. ჭეშელავა. ჟურნალი განუბრელად ატარებს პარტიის გენ. ხაზს, იბრძვის ანტიპარტ., ნტიხალხ. მიმართულებათა წინააღმდეგ; შუქებს სოციალ. მრწენებლობის თეორ. და პრაქტ. საკითხებს. ჟურნალში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ბევრი ნაშრომი, პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელთა ტატიები, სიტყვები, მოხსენებები. თანამშრომლობენ პარტ., სახელმწ. და ზ. მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, ურნალისტები, მუშები, კოლმეურნეები და სხვ. „ს. კ.“ მნიშვნელოვან როლს თაშობს საქ. სსრ პარტ. ორგანიზაციის ცხოვრებაში. 1981 ივნ-იდან გამოდის ქართ. და რუს. ენებზე. ტირაჟი 30 ათ. (1985).

პ. კობრეიძე.

საქართველოს კომუნისტური პარტია (საქ. კპ), *იხ. ტ. საქართველოს სსრ.*

საქართველოს კომუნისტური პარტიის საარევიზიო კომისია, ირჩევს საქ. კპ ყრილობა. კომისია რევიზიას უწევს საქ. კპ ცენტრ. ორგანოებში საქმეების წარმოებასა და სისწორეს, ცკ-ის სააროსა და საწარმოებს, მუშაობის ანარიშს აბარებს მომდევნო ყრილობას. ირველად იგი აირჩია საქ. კპ I ყრილობამ 1922 იანვ.). მის შემადგენლობაში შედნენ ე. კალანდაძე, გ. კვაჭაძე, ნ. ოკუაშვა, ს. თალაკვაძე, ს. ჩიხლაძე. საარევიზიო კომისიის შემადგენლობა შინაპარტ. დემოკრატიის გაფართოებასთან ერთად ემდგომში თანდათან იზრდებოდა. საქ. კპ XVI ყრილობამ (1981 იანვ.) საარევიზიო კომისიაში აირჩია 50 კაცი. (თავ-რე ი. ზარაძე). *ე. ჭურციკიძე.*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის მაღლესი ხელმძღვანელი ორგანო ყრილობებს შორის. ცკ-ს ირჩევს პარტიის ყრილობა. წარმართავს ცენტრ. საბჭ. და ზ. ორგანიზაციათა მუშაობას, ამტკიცებს პარტიის ცენტრ. ორგანოთა რედაქციებს, ებიც მუშაობენ ცკ-ის უშუალო ხელმძღანელობითა და კონტროლით, ანაწილებს პარტ. ძალებსა და საშუალებებს, განაგებს პარტ. სალაროს. ს. კ. პ. ც. კ. პარტიის წესდებით განსაზღვრული რიგით იწვევს პარტიის ყრილობებს, ცკ-ის პლენუმებს; პლენუმებს შორის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ქმნის ცკ-ის ბიუროს, მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის კი — ცკ-ის სამდივნოს. რეგულარულად აწვდის ინფორმაციას პარტ. ორგანიზაციებს თავისი მუშაობის შესახებ. ს. კ. პ. ც. კ. ცკ-თან ქმნის პარტიულ კომისიას; ხელმძღვანელობს საქ. ალკკ ცკ-ს. 1972 სექტ-იდან საქ. კპ ცკ-ის პირველი მდივანია ე. შევარდნაძე. *კ. შელია.*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და სტამბა, უდიდესი გამომცემლობა ამიერკავკასიაში (საწარმოს სიმძლავრე, საგაზეთო პროდუქციის ჩაუთვლელად, 315 მლნ. დაყვანილ საღებავანაბეჭდს შეადგ.ს), დაარსდა თბილისში 1929. ამჟამად გამომცემლობაში ისტამბება 30 დასახელების ცენტრ., რესპ., საქალაქო და საუწყებო გაზეთი (10 ცენტრ. გაზეთის ჩათვლით); მათი ერთჯერადი ტირაჟი საშუალოდ 3362000 ცალს უდრის. საერთო ტირაჟი— 665200000 დაყვანილ ცალს. შეკვეთის წესით ისტამბება აგრეთვე 43 დასახელების ჟურნალი, საქართვ. სხვა გამომცემლობათა წიგნები, ბროშურები, სახვითი ხელოვნ. ალბომები და სხვ. ქართ., რუს., სომხ. და აზერბ. ენებზე. *ვ. დოხნაძე.*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, ისტორიულ-პარტიული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ქართ. ენაზე თარგმნის და გამოსცემს კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ნაშრომებს, აგროვებს და იცავს დოკუმენტებს საქ. კომპარტიისა და რევ. მოძრაობის ისტ. საკითხებზე, რევ. მოღვაწეთა ცხოვრებასა და საქმიანობაზე და სხვ. გამოსცემს დოკუმენტებისა და მასალების კრებულებს, მონოგრაფიულ ნაშრომებს, საქ. კომპარტიის ისტორიის, პარტ. მშენებლობისა და მეცნ. კომუნიზმის საკითხებზე. ინ-ტს დასაბამი მისცა საქ. კპ(ბ) ცკ-ის 1922 წ. 24 ივნ. დადგენილებით შექმნილმა პარტიის ისტორიის კომისიამ (პარტისმა).

საქ. კპ (ბ) ცკ-ის 1932 წ. 23 თებ. დადგენილებით თბილისში შეიქმნა სტალინის ისტ.-პარტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ამავე წელს მოხდა პარტისის რეორგანიზაცია და მისი შეერთება ინ-ტთან, 1933-იდან ინ-ტის გამგებლობაში გადავიდა საქ. რევ. მუზეუმი, რ-იც არსებობდა 1937-მდე. საქ. კპ(ბ) ცკ-ის 1936 წ. 7 ოქტ. დადგენილებით, ინ-ტს დაევალა ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალის მოწყობა, რ-იც გაიხსნა 1938 წ. 2 ივლ. და 1940-მდე არსებობდა ინ-ტთან. 1934 წ. ივლისიდან ინ-ტს ეწოდა საკ. კპ(ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინ-ტის თბილ. ფილიალი, 1944 სექტ-იდან — საქართვ. ფილიალი, 1953 ივლ-იდან — საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტი — სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინ-ტის ფილიალი, 1956 მარტიდან — საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი. ინ-ტში არსებობს 5 სექტორი: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების თარგმნის, ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად მოსამზადებელი ჯგუფი, პარტიის ისტორიის, პარტიული მშენებლობის, მეცნიერული კომუნიზმისა და პარტიული არქივი. ინ-ტს აქვს მდიდარი ბ-კა. ინ-ტმა გამოსცა: კ. მარქსის „კაპიტალი“, აგრეთვე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალკეული ძირითადი ნაშრომები, ვ. ი. ლენინის თხზულებათა I—III გამოცემების რამდენიმე ტომი, 1948—53 სრულად გამოსცა IV გამოცემის 35 ტომი, შემდეგ კი დამატებით 10 ტომი და სხვა ნაშრომები. სამჯერ გამოსცა „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები“.

აზერბ. და სომხ. პარტიის ისტ. ინ-ტებთან ერთად მოამზადა და გამოსცა „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ისტორიის ნარკვევები“ ორ ნაწილად, კრებული „ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის შესახებ“ (რუს. ენაზე), „ამიერკავკასიის კომუნისტების მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“ (რუს. ენაზე), „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მოღვაწეობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის“ (რუს. ენაზე) და სხვ. ინ-ტთან არსებობს სპეციალიზირებული სამეცნ. საბჭო პარტ. ისტ. საკითხებზე დისერტაციების დასაცავად და საკოორდინაციო საბჭო, რ-იც ახდენს რესპუბლიკაში სამეცნ.-კვლევითი მუშაობის კოორდინაციას ისტ.-პარტ. მეცნიერების დარგში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1982).

ს. ბერიძე. ზ. გეგეშიძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისია, შეიქმნა 1953 მაისში საქ. კპ ცკ-ის პარტიული კოლეგიის ნაცვლად. კომისია ამოწმებს სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატების მიერ პარტ. დისციპლინის დაცვას, პასუხისგებაში აძლევს იმ კომუნისტებს, რ-ებსაც ბრალი მიუძღვით პარტიის პროგრამისა და წესდების, პარტ. და სახელმწ. დისციპლინის, პარტ. მორალის დარღვევაში. განიხილავს აპელაციებს საქ. კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რ-ნული კომიტეტების გადაწყვეტილებათა გამო პარტიიდან გარიცხვისა და პარტ. სასჯელის შესახებ. კომისია შეისწავლის და აანალიზებს პარტ. დისციპლინის განმტკიცებასა და პარტ. პოლიტიკის განხორციელებაში რესპ. კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კომისიას ხელმძღვანელობს თავ-რე. მის შემადგენლობაში შედიან პარტ. კომისიის წევრები და ინსტრუქტორები. *შ. თეთვაძე.*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა, პარტიულ, საბჭ. და კომკავშირულ მუშაკთა კადრების მოსამზადებელი სასწავლებელი. გაიხსნა 1921 წ. 19 ივნ. თბილისში. პარტ. სკოლაში იღებდნენ 18—25 წლამდე ასაკის კომუნისტებსა და კომკავშირელებს პარტ. და კომკავშირული კომიტეტების რეკომენდაციით. სკოლაში 2 განყ-ბა იყო — პროპაგანდისა და პარტ.-საორგანიზაციო მუშაობისა (ქართ. და რუს. სექტორები). თავდაპირველად სკოლაში სწავლების ვადა 2—3 თვე იყო, შემდეგ სასწ. პროგრამები გაფართოვდა და სწავლების ვადა ჯერ 1, შემდეგ 2 და 3 წელი გახდა. სკოლაში მუშაობდა პროპაგანდის, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნების, პროფკავშირული მუშაკებისა და სხვ. კურსები. 1937 იგი გადაკეთდა პროპაგანდისტთა სკოლად, 1938 — ერთწლიან რესპ. პარტ. კურსებად, 1946-იდან — რესპ. ორწლიან, ხოლო 1952-იდან სამწლიან, პარტ. სკოლად, რ-მაც 1958 წ. აგვისტომდე იარსება. აღნიშნულ სკოლაში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის, ეკონ. მეცნიერებათა, დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმის, ისტ. მეცნიერებათა, ენებისა და ლიტ-რის კათედრები. ცალკეულ თემებზე ლექციებს კითხულობდნენ პასუხისმგებელი პარტ. მუშაკები.

ა. გუკასიანი.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, იხ. ტ. *საქართველოს სსრ,* თავი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები.

საქართველოს მათემატიკური საზოგადოება, სსრკ-ის ერთ-ერთი მათემატიკური საზოგადოება; ჩამოყალიბდა 1962. ს. მ. ს-ის პირველი პრეზიდენტი იყო ვ. *კუპრაძე* (1962—66), შემდგომში ლ. *გოკიელი*, ა. *ხარაძე*. 1976-იდან ს. მ. ს-ის პრეზიდენტია ლ. *მაღნარაძე*. ს. მ. ს. აერთიანებს სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებში, უმაღლეს და საშ. სკოლებში მომუშავე მათემატიკოსებს. მის საჯარო სხდომებზე ისმენენ როგორც მიმოხილვითს, ისე ორიგინ. მოხსენებებს. საზ-ბა თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობს საშ. და უმაღლეს სასწავლებლებში მათ. სწავლების საკითხს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია, რ-იც შეიქმნა ქართლში (იბერიაში) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისთანავე (დაახლ. 330-იან წწ.) მცხეთის საეპისკოპოსოს სახით. რომის იმპ. კონსტანტინე დიდმა (306—337) ქართლის მეფის მირიანის თხოვნით აქ მოავლინა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი, რ-ებმაც აკურთხეს მცხეთაში აშენებული ეკლესია და ხალხისათვის შეასრულეს ნათლისღების რიტუალი. მცხეთის ეპისკოპოსი V ს-მდე „მთავარეპისკოპოსის“ („მთავარი“), „ეპისკოპოსის“ ტიტულს ატარებდა, იერარქიულად სუბორძნ. ეკლესიას ექვემდებარებოდა. მცხეთის საეპისკოპოს მრევლი მცირერიცხოვანი იყო, რადგან კარგახნის მანძილზე მოსახლეობაში ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა ძვ. რელიგიები — წარმართობა (კერპთაყვანისმცემლობა) და ირანიდან შემოსული ცეცხლთაყვანისმცემლობა (იხ. სტ. *ზოროასტრიზმი*). ქრისტიანობის მასობრიობას და ამის შესაბამისად საეკლ. ქსლის ზრდას არსებითად აფერხებდა სოც. ფაქტორი: ქრისტიანობა, როგორც ფეოდალთა კლასის იდეოლოგია, პირველ ხანებში ვრცელდებოდა მოსახლ. ზედა ფენებში. საქმეს ართულებდა პოლიტ. მომენტიც: ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევარი, დამპყრობელი ირანი ბიზანტ. გავლენის მოსასპობად ამიერკავკასიაში ირანულ რელიგიებს და ირანული ელფერის ქრისტ. ერესებს მფარველობდა. ასეთ ერესებს ქართლის ეპისკოპოსთა რიგებშიც კი გამოჩენია მომხრეები: IV—V სს-ში ქართლში 12 — 13 მღვდელთმთავართაგან 4 — 5 ყოფილა „შემშლელი წესთა“, მ. შ. ცნობილია ეპისკოპოსი *მობიდანი*, რ-იც ირანიზირებული ქრისტიანობის ფარული მიმდევარი იყო. ქართლის ცენტრ. ხელისუფლება ენერგიულად ებრძოდა როგორც ცეცხლთაყვანისმცემლობას, ისე ერესებს, უზრუნველყოფდა ქართლის აღმსარებლობით ერთიანობას ქვეყნის შიგნით და ერთობას ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, ნიკეა-კონსტანტინოპოლის და ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებების (325,381, 451) დოგმატთადმი ერთგულებას. ამ მხრივ ცნობილია ეპისკოპოს *მიქაელის* დიდი ღვაწლიც. ქართლში მეფის ხელისუფლება და გაბატონებული კლასები მატერ. სახსრებით ენერგიულად მონაწილეობდნენ ეკლესიათა მშენებლობაში. ეკლესია იყო მათი იდეოლოგიური დამცველი, ეკლესია აკურთხებდა ფეოდ. სახელმწიფოებრივ წყობილებას, ქადაგებდა სოც. უთანასწორობის არსებობის აუცილებლობას.

ქართლის საეპისკოპოსოში, არასრული წერილობითი ცნობების მიხედვით, V ს. შუა წლებამდე მოქმედებდა შემდეგი ეკლესიები: ქ. მცხეთაში 3 ეკლესია (ამათგან ერთი საკათედრო), არტაანისა (ერუშეთში), მანგლისის, წილკნის, ნეკრესის, რუსთავის (კუხეთში), წუნდის, ბოლნისის, სტეფანწმინდის (არაგვზე მცხეთასთან); კლარჯეთში — არტანუჯის, დაბის, მერის, შინდობისანი და ახიზის. ამ პერიოდში უნდა აშენებულიყო ეკლესიები აგრეთვე ხორნაბუჯსა და აგარაკში, მთის ადგილებში — ჭართალელებში, ფხოვში, თიანეთში, ერწოში, დაბა ედემს (ჟალეთში), ყვარელთა სოფლებში, კაწარეთს (კუხეთში), სუფსა ქვეყანაში, დაბა ბოდინში (ბოდბე), ქცელ დაბას (კახეთში). მცხეთის საეპისკოპოსოს ხელში თავი მოიყარა დიდძალმა უძრავ-მოძრავმა ქონებამ, ის, როგორც მზარდი ფეოდ. ძალა, ისწრაფოდა ცენტრ. ხელისუფლებისაგან მოეპოვებინა ეკონ. და პოლიტ. დამოუკიდებლობა. ამ ნიადაგზე სერიოზული უმტყვნილება ჩამოვარდა ვახტანგ გორგასალსა და ეპისკოპოს მიქაელს შორის, რაც მწვავე კონფლიქტით დამთავრდა. ვახტანგ გორგასალმა დაახლ. 466—468 შეცვალა ეკლესიის ორგანიზაციულ-ადმ. სტრუქტურა, შემოიღო მმართველობის ახ. სისტემა საკათალიკოსოს სახით; დაარსა საეპისკოპოსოები (პირველად 12), რ-თა უმაღლესი მესაჭე — კათალიკოსი ბერძნ. ეკლესიისაგან (ანტიოქიის პატრიარქისაგან) იერარქიულად დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) გახდა. ამ დროისათვის მღვდელთმსახურების გაეროვნულებაც დასრულებული იყო. პირველი კათალიკოსი იყო *პეტრე*. ავტოკეფალურ საკათალიკოსოს უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდა ქართლის ცენტრ. ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, ვიდრე ძვ. სისტემას. მცხეთაში ვახტანგ გორგასლის ინიციატივით, ძვ. „დაცემული“ ეკლესიის ადგილზე, საკათალიკოსო კათედრად აშენდა ახ. ეკლესია „მოციქულთა“ სახელობისა — „სვეტიცხოველი“. VI ს-ში ქართლში მოქმედებდა 33-ზე მეტი საეპისკოპოსო, მ. შ.: მცხეთის (შემცირებული ძვ. *მცხეთის საეპისკოპოსო*), ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, ნიქოზის, ცურტავის, რუისის, ურბნისის, წილკნის, სამთავისისა და სხვ.

V ს-თვის (და უფრო ადრეც) ქართ. ენაზე უკვე არსებობდა სახარებები („ევანგელე“), „პავლე“ (ეპისტოლენი), „ასერგასნი ფსალმუნნი“ (დავითნი), ბერძენ „მოწამეთა წიგნი“, „მრწამსი“ და სხვ. არა უგვიანეს V ს. ქართულად უკვე გადმოღებული იყო I—IV მსოფლიო საეკლ. კრებათა დადგენილებები (როგორც დისციპლინური, ისე დოგმატური), ქართულად არსებობდა ლიტურგიკული პრაქტიკისათვის აუცილებელი სამღვთო წერილის (ბიბლიის) ძირითადი წიგნები. პირდაპირი მითითება ქართ. ენაზე ლიტურგიის არსებობისა გვაქვს საბა განწმედილის (გ. 532) ბერძნ. ანდერძში [საბა თავის ლავრაში (პალესტინა) ქართველებსა და ასურელებს უკრძალავს ჟამისწირვა შეასრულონ თავიანთ დედაენაზე, ნებას რთავს დედაენაზე იკითხონ მხოლოდ სახარება, სამოციქულო, ჟამნი და სხვ.]. ქ. იერუსალიმში „წმინდა ადგილების“ მოსალოცად და განსაკურნებლად გამგზავრება ჩვეულებად იქცა. ცნობილ მოღვაწეს პეტრე იბერს დაახლ. 440 ქ. იერუსალიმში სასტუმროც კი აუგია ქართველი და ბერძენი მოგზაური მღოცველების თავშესაფრად, შემდეგში „იბერთა მონასტრის“ სახელით რომ გახდა ცნობილი [განაახლა იმპ. იუსტინემ (518—527)]; ეროვნ. რელიგიების თაყვანისცემის კულტი V ს-თვის უკვე ჩამოყალიბებული იყო („სვეტიცხოველი“, წმ. შუშანიკის ბორკილები და სხვ.). ქართ. ენაზე დაიწერა ეროვნ. წმინდანის შუშანიკის ცხოვრება (V ს.), ქართ. კალენდარში თანდათან იმატა ეროვნ. წმინდანთა (შუშანიკი, რაჟდენი, ევსტათი, აბიბოს ნეკრესელი და სხვ.) ხსენების დღეებმა.

ირანის შაჰები დაპყრობილ ქვეყნებში ბიზანტ. ორიენტაციის აღმოსაფხვრელად მფარველობდნენ ქრისტიანობის მონოფიზიტურ მიმდინარეობას და დევნიდნენ *დიოფიზიტობას*. 506 ირანის შაჰის ზეგავლენით სომხეთში (ქ. დვინში) მოიწვიეს საეკლ. კრება, რ-ზედაც დამსწრე სომეხმა, ქართველმა (ქართლიდან ყველა ეპისკოპოსი არ გამოცხადდა) და ალბანელმა ეპისკოპოსებმა თავი გამოაცხადეს მონოფიზიტობის მომხრეებად (არსებობს სხვა მოსაზრება, იხ. სტ. *დვინის საეკლესიო კრება 506*). ცხადია, ასეთ ნაძალადევ ღონისძიებას არ შეეძლო შეეცვალა ქართ. ეკლესიის ტრადიციული აღმსარებლობა და იგი ისევ დიოფიზიტობის მიმდევარი დარჩა. ქართლში ქრისტიანობის (დიოფიზიტობის) დაცვა-განმტკიცებასა და საეკლ. ქსლის გაფართოებაში დიდი როლი ითამაშეს *ასურელმა მამებმა*. ისინი საქართველოში მოვიდნენ რამდენიმე პარტიად VI ს. I ნახ. — VI ს. 70-იან წლებში, სირიიდან მოიტანეს მრავალი რელიკვია: „მოწამეთა ნაწილნი“, „ძვალნი მოწამეთანი“, ქ. ედესიდან— ე. წ. „ხელთუქმნელი ღვთაების ხატის“ პირი, ააშენეს 16-ზე მეტი მონასტერი (ზედაზნის, გარეჯის, მღვიმის, ალავერდის, მარტყოფის, ნეკრესის და სხვ.); VI ს. ბოლოდან, როცა ქართლში ირანის გავლენა შესუსტდა და ეროვნ. სახელმწიფოებრივი მმართველობა აღდგა, ეკლესიას სათავეში ჩაუდგა განათლებული და გონიერი მმართველი კათალიკოსი *კირონ* (კ ი რ ი ო ნ) I. ქართლში უკვე 35-ზე მეტი საეპისკოპოსო იყო. მოხდა მისი ტერიტ. გაფართოებაც დასავლეთ საქართველოს („მეგრელეთა“) მიმართულებით. კირონს ცხოველი პოლემიკა ჰქონდა სომხ. მონოფიზიტური ეკლესიის კათალიკოსებთან დოგმატურ საკითხებზე. პოზიციებს არც ერთი მხარე არ თმობდა, რაც ბოლოს ამ ორი ეკლესიის გათიშვით დამთავრდა (607 წ.). ქართულმა ეკლესიამ მტკიცედ დაიცვა დიოფიზიტობა (იხ. სტ. *საეკლესიო განმეთქილება კაეკასიაში*).

VII—X სს-ში, ქართლში არაბთა დ ბიზანტიის დაპყრობათა პერიოდში, სამეფო-სამთავროების და შემდეგ ერთიანი ქართ. ფეოდ. მონარქიის ჩამოყალიბები პროცესში, ეკლესიამ დიდი როლი ითამაშ ერთიანი ქართ. ენის, სულიერი კულტ. ფსიქიკისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეის გამომუშავებაში. მწერალმ იოანე საბანის ძემ (VIII ს.) მაჰმადიანობის არაბ დამპყრობთა პოლიტიკაში ნათლად დაინახა ეროვნ. გადაგვარების საფრთხე და მკაცრი კრიტიკით გამოვიდა იმ ქართველების წინააღმდეგ, რ-ებიც არაბთა წინაშე შიშით ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მან ქართველობაში ეროვნ. სიამაყის გასაღვივებლად კარგად გამოიყენა არაბი ავოს (იხ. *აბოთბილელი*) ქაჭრისტიანების ფაქტი.

VIII ს-იდან ფართო სამონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში, სადაც დაარსდა ხანძთის საარქიმანდრიტო (ხანძთა, შატბერდი, გუნათლე და სხვ.). ამ მხარეში მოქმედებდა მონასტრები: ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა, ხ. სული, ზარზმა და სხვ. VIII—X სს-ში ქართ. სავანეებში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერი ბერები: *გრიგოლ ხანძთელი, გ ორკი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მირჩხი, იოანე მტბევარი, იოან, ზოსიმე, საბა მტბევარი, სერაპიონ ზარ მელი* და სხვ. უკვე X ს-თვის ქართ. ენაზე მოიპოვებოდა მდიდარი ორიგინ. ჰაგიოგრაფიული და საისტ. მწერლობა, ბერძნულიდან ითარგმნა საეკლ. პრაქტიკისათვის საჭირო ძირითადი ლიტ-რა. საბერძნეთის ცენტრებიდან გადმოიღეს ან აქვე დ იწერა სამონასტრო ტიპიკონები (იერუსალიმის, საბაწმინდის, კონსტანტინოპოლის, ხანძთის და სხვ.), მაღალ დონეზე მიაღწია საეკლ. არქიტექტურამ, მუსიკა სახვ. ხელოვნებამ. შუა საუკუნეებში ეკლესია ერთადერთი დაწესებულება იყო, რ-საც ხელეთ ეპყრა განათლებისა და მეცნ. მონაპოვრის. ყოველი ნაწარმოები ხელოვნების, მუსიკის, ისტ., ლიტ-რის თუ სხვა დარგის აუცილებლივ ქრისტ. რელიგიის დოგმებს და თეოლოგიას უნდა დაქვემდებარებოდ

ჯერ კიდევ V ს-იდან ს. მ. ე-მ ცხოვლი ურთიერთობა დაამყარა მიმოსულ

ᲗᲣ მიმოწერის საბით, რომის, ანტიოქიის (სირია), იერუსალიმის (პალესტინა), ჯონსტანტინოპოლის საპატრიარქო ცენტრებთან. სირია -პალესტინაში ქართ. სავაჭეები გაჩნდა V ს-იდან. ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ იქაურ მონასტრებში (საბაწმინდაში, შავ მთაზე, სინის და სხვ.). X ს. დამლევს ქართველთა მონასტერი დაარსდა ათონზე (საბერძნეთი). ყოველივე ეს ხელს უწყობდა საქართვ. ინტენსიურ კონტაქტებს გარე საქრისტიანო ცენტრებთან. ქართვ. მოღვაწეებს თავისი წვლილი შეჰქონდათ ზოგად ქრისტ. მწერლობაში. მაგ., აღსანიშნავია ისეთი განთქმული ფილოს. ნაწარმოების შექმნა X ს-ში, როგორიც იყო *„სიბრძნე ბალავარისი“* (ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ), რ-იც შემდეგ ექვთიმე თონელმა ბერძნულად გადაიღო, ხოლო ქედან ლათინურად ითარგმნა (XI ს.) და მთელს ევროპაში გავრცელდა. ქართ. ეკლესიის ავტორიტეტი შორეულ გოთიაში (ყირიმში) აღწევდა. VIII ს-ში მცხეთაში ჩამოვიდა *იოანე გუთელი*, რ-იც ეპისკოპოსად აკურთხა ქართლის კათალიკოსმა. ქართ. ეკლესიამ არ გაიზიარა ბიზანტიაში 725—843 წლებში თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული *ბატმებრძოლობის* ერესი, რამაც მისი საერთაშ. როლი დიდად აამაღლა. მარცხი განიცადა ანტიქიის საპატრიარქოს პრეტენზიებმა დაეჭრილებინა ქართ. ავტოკეფალური ეკლესია: ანტიოქიის პატრიარქმა თეოფიქტემ (744—750) ხელახლა დაუმტკიცა ართ. ეკლესიას ავტოკეფალია. იერუსალიმის პატრიარქმა სერგიმ (843—859) ცდა დართო მცხეთაში, სვეტიცხოველში ჯურთხებინათ მირონი. ქართ. ეკლესიის ღალმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ საეკლ. წრეებში წარმოშვა მისი განდიდებელი იდეებიც. მაგ., იოანე ზოსიმე X ს.) ქართ. ენას აღიარებდა მსოფლიო ეკლესიო ენად, რ-ზეც იესო ქრისტეს განასკნელად უნდა განესაჯა ადამიანები ქებაᲐ და დიდებაᲐ ქართულისა ენისაᲐ“). X ს-ში ეკლესიამ მაღალ მატერ. შესაძლებლობებს მიაღწია. ეკლესიას, როგორც ოდ. ორგანიზაციას, ისეთივე სამეურო-ეკონ. სტრუქტურა ჰქონდა, როგორიც ერო სენიორიას. საეპისკოპოსო და სანასტრო სენიორიების ძირითადი შემოვალი იყო შეწირულების თუ ნასყიდობის გზით მიღებული ადგილ-მამული და თზე მსხდომი გლეხებისაგან აკრეფილი დასახადები. ამას ემატებოდა მრევლისგან აღებული საწესო-საკულტო გადასადები სას. მომსახურებისათვის. ეკონომიკურად დაწინაურებულმა ეკლესიამ იდი პოლიტ. გავლენა მოიპოვა, მსხვილი ეკლ. ცენტრები (სენიორიები) აქტიურად ჩაებნენ შინაფეოდ. ბრძოლებში და ზეტეს შემთხვევაში სჯობნიდნენ კიდეც ერო ხელისუფლებას — აღწევდნენ დამოკიდებლობას. ამ ნიადაგზე საეკლ. რეებში შემუშავდა შეხედულება საეკლ. ლისუფლების პრიმატის შესახებ, რ-ის ეორ. დასაბუთება მოცემულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში „გრიგოლ ნძთელის ცხოვრება“ (დაიწერა 951). XI ს. დასაწყისიდან ს. მ. ე-ის უმაღლესი მესაჭე ატარებდა „პატრიარქის“ ოდებას, მაგ., მელქისედეკი (1010—33), რველი კათალიკოს-პატრიარქი, რიგით ექვსეა მსოფლიო პატრიარქთა შორის. ქართვ. საპატრიარქო ტერიტორიულად ხთხვეოდა სახელმწიფოს პოლიტ. საზღვრებს. XI—XII სს-ში საქართვ. კათალიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა დას. საართველოში *აფხაზეთის საკათალიკოსო* ავიხი საეპისკოპოსოებითურთ, ქალკედონელ მართლმადიდებელ სომხ. თემთა ეპისკოპოსოები, რ-თაც სათავეში ედგათ ატროპოლიტი, და აღმ. საქართვ. საეპისკოპოსოები. სულ მას ექვემდებარებოდა ე-ზე მეტი ეპისკოპოსი, მ. შ. მცხეთის მთავარეპისკოპოსი, ჭყონდიდელი, მოქველი, ბედიელი, ქუთაელი, მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, მტბევარი, ანჩელი, ერუშნელი, ბანელი, გიშელი, ანელი, მანგლელი, ბოლნელი, დმანელი, ბოდბელი, ნინოწმინდელი, ხარჭაშნელი, ჭერემელი, ნიქოზელი, ალავერდელი, რუსთველი, ურბნელი, მროველი, სამთავნელი, წილკნელი, თბილელი და სხვ.

XI—XII სს-ში ცხოველი მუშაობა გაჩაღდა ბიზანტ. საეკლ. ლიტ-რის ძვ. ნიმუშების ქართ. ენაზე გადმოსალებად და ძველის შესავსებად. XI—XII სს-ში ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ კი მთლიანად ითარგმნა „დიდი სჯულისკანონი“ (ნომოკანონი). არაერთი ნაშრომი ითარგმნა და დაიწერა თეოლ., ისტ. და სხვა დარგებში. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელგანთქმული ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლები, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, არსენ ბერი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვ. საეკლ. ნაწარმოებების გვერდით ამ პერიოდში განსაკუთრებით გამრავლდა საერო თემატიკის ქმნილებები (ისტორიაში, პოეზიაში). მუშაობა მიმდინარეობდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართ. ცენტრებში: გელათის აკადემიაში (დაარსდა 1106), შიომღვიმეში, ათონზე, პეტრიწონში (დაარსდა 1083, ბულგარეთი), იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (დაარსდა XI ს. I ნახევარში), შავ მთაზე და სხვ. XI ს-ში შეიქმნა საეკლ. არქიტ. საუკეთესო ძეგლები: ბაგრატის ტაძარი (ქუთაისი), სვეტიცხოველი და სამთავრო (მცხეთა), სამთავისი (ქართლი), ალავერდი (კახეთი), ნიკორწმინდა (რაჭა) და სხვ. XI ს-ში ანტიოქიის საპატრიარქომ კვლავ წამოაყენა პრეტენზია ქართ. ეკლესიის დასაქვემდებარებლად იმ საბაბით, რომ მას ავტოკეფალია თითქოს უკანონოდ ჰქონდა მითვისებული, მაგრამ პატრიარქების პეტრესა (1052—56) და თეოდოსის (1057—59) დროს იგი იძულებული გახდა ეცნო ს. მ. ე-ის დამოუკიდებლობა. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო გიორგი მთაწმიდელმა.

XI ს. შუა წლებში ქართულ სამღვდელოებაში ფეხმოკიდებულ ზნეობრივ-დისციპლინარულ დარღვევებს ენერგიულად შეებრძოლნენ ბაგრატ IV და გიორგი მთაწმიდელი.

ს. მ. ე-ის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა XII ს-ში, დავით აღმაშენებლის (1089—1125) დროს. ეკლესია სრულიად დაექვემდებარა სახელმწიფოს; მეფემ მთიპოვა ეკლესიის საქმეებში ჩარევის უმაღლესი უფლება — საეკლ. საქმეების მეთვალყურედ სამეფო კარიდან დაინიშნა *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი*, საეკლ. პოსტებზე დაადგინეს ცენტრ. ხელისუფლების მომხრე ეპისკოპოსები. სამღვდელოებაში ფეხმოკიდებული დისციპლინურ-ზნეობრივი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემოიღეს მკაცრი კანონები (*რუის-ურბნისის საეკლესიო კრება*, *1104*). ცენტრ. ხელისუფლებამ დააარსა ახ. სამეფო მონასტრები (გელათი, შიომღვიმე, დავითგარეჯა და სხვ.). ამას მოჰყვა აგრეთვე საერო მმართველი წრის გაძლიერებული ზრუნვა ეკლესიის პრივილეგიებისა და მატერ. მდგომარეობის გაზრდისათვის.

XIII—XVIII სს-ში ს. მ. ე-ის პოლიტ.-ეკონ. მდგომარეობა თანდათან დაეცა, რაც გამოწვეული იყო უცხოელი დამპყრობლების მონღოლების, ირანელების, თურქ-ოსმალების განუწყვეტელი შემოსევებითა და ხანგრძლივი ბატონობით. ეკლესია მწვავე კონფლიქტში აღმოჩნდა მრევლთან. მაგ. კათალიკოს-პატრიარქი *ნიკოლოზ III* წირვა-ლოცვის შეწყვეტით დაემუქრა მრევლს, ბოლოს ნებაყოფლობით გადადგა. საქართვ. სამოქალაქო და საეკლ. ცხოვრებაზე განსაკუთრებულად მძიმე გავლენა იქონია თურქ-ოსმალების მიერ ბიზანტ. დაპყრობამ (1453). ამიერიდან საქართველო მაჰმადიანთა გარემოცვაში მარტო აღმოჩნდა. სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში ს. მ. ე. გამაერთიანებლის როლს ასრულებდა, მაგრამ ეკლესიურ ერთობას ძირს უთხრიდა ზოგი ეპისკოპოსი. მაგ., XV—XVI სს-ში აწყურის ეპისკოპოსები მზარს უჭერდნენ ადგილობრივ სამცხის მთავრების სეპარატისტულ მოქმედებას და ამ მზარის გამოყოფას ეკლესიურადაც. XV ს. 70-იან წლებში სრულიად საქართვ. მცხეთის საპატრიარქოს ჩამოსცილდა აფხ. საკათალიკოსო, რომლის მეთაური კათალიკოსად აკურთხა იმ დროს დას. საქართველოში შემთხვევით ჩამოსულმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა (1470/74—84). XVI ს-ში, კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558—78) დროს საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რაც გამოიწვია სხვადასხვა ისტ. მიზეზის წყალობით აფხაზეთში ქრისტ. მრევლის შემცირებამ და სხვ. XVI—XVIII სს-ში დას. საქართველოში მოქმედი იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: ბედიის, დრანდის, მოქვის, ჭყონდიდის, ცაიშის, შემოქმედის, ნინოწმინდის, ჯუმათის, გელათის, ქუთ., ხონის, ცაგერის და ნიკორწმინდის. XVI ს. მიწურულს ს. მ. ე-ს ჩამოაკლდა სამცხე-საათაბაგოს ტერიტ. ამ მზარის თურქებისაგან მიტაცებისა და იქ ისლამის ძალით გავრცელების გამო. XVIII ს-ში იმერეთში სოლომონ I-მა (1752—84) და ქართლ-კახეთში ერეკლე II-მ (1762—98) სცადეს ეკლესიის შერყეული მდგომარეობის გაუმჯობესება. XVIII ს-ში საეკლ.-სამონასტრო ცენტრებში (დავითგარეჯა, იოანე ნათლისმცემელი და სხვ.) გამოცოცხლდა ლიტ. მუშაობა, რ-იც მიზნად ისახავდა მაჰმადიანთა ხანგრძლივი ბატონობით შერყეული ქართ. ქრისტიანობისა და ეროვნულობის შეგნების განმტკიცებას. საქართვ. რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801) რუს. ცარიზმმა გააუქმა ს. მ. ე-ის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმ. საქართველოში 1811, დას. საქართველოში 1814), მოახდინა ადმ.-სტრუქტურული და ეკონ.-სოც. ცვლილებები და საქართვ. ეკლესია ცალკე საეგზარქოსოს სახით შეუერთდა რუს. ეკლესიას. ეგზარქოსებად ნიშნავდნენ რუსეთიდან მოვლინებულ რუს მღვდელმთავრებს. საქართველოში ეკლესია ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონ. პოლიტიკის საყრდენად და გამტარებლად იქცა. 1905—07 წწ. რუს. ბურჟ. რევ., სამოქალაქო ომისა და უცხოელთა ინტერვენციის დროს სამღვდელოება მზარს უჭერდა მონარქიასა და კონტრრევოლუციას. ქართვ. სამღვდელოებამ 1917 წ. 12 (25) მარტს აღადგინა ავტოკეფალია და 8—17 სექტ. კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ II (საძაგლიშვილი). რუს. ბურჟ. რევოლუციებმა ვერ გადაჭრეს ეკლესიასთან და რელიგიასთან დამოკიდებულების საკითხი. იგი გადაჭრა მხოლოდ 1917 ოქტ. რევოლუციამ, რ-მაც ბოლო მოუღო ეკლესიის ბატონობას. რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წ. 20 იანვ. (2 თებ.) და საქართველოს მთავრობის 1921 წ. 15 აპრილის დეკრეტით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, სკოლა—ეკლესიას და გამოცხადდა სინდისის თავისუფლება. ყველა ეს მონაპოვარი აისახა საბჭ. კონსტიტუციაში. მოქალაქეს უფლება აქვს იწამოს რომელი რელიგიაც უნდა, შეასრულოს კულტის სამსახური, ამავე დროს აღიარებულია ანტირელიგ. პროპაგანდის თავისუფლებაც. მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოერთვა პრივილეგიები პოლიტ., ეკონ. და განათლების დარგში. ისე როგორც ყოველი რელიგ. ორგანიზაცია, მართლმადიდებელი ეკლესიაც განიხილება მორწმუნეთა კერძო გაერთიანებად, რ-ის მიზანია ერთობლივად შეასრულოს რელიგ. კულტი. სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის შინაურ საქმეში და არც ეკლესიას აქვს უფლება ჩაერიოს სახელმ-

წიფოს საქმეში. კულტის მსახურთ აქვთ ყოველგვარი სამოქალაქო და პოლიტ. უფლება. ს. მ. ე-ს და სახელმწიფოს შორის კავშირის დასამყარებლად არსებობს სპეც. ორგანო: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატი საქართველოს სს რესპუბლიკაში". საქართვ. საპატრიარქო ამჟამად შედგება 15 ეპარქიისაგან (1985). რ-ებსაც მართავს 4 მიტროპოლიტი, 3 მთავარეპისკოპოსი და 6 ეპისკოპოსი. ს. მ. ე-ს მართავს ადგილ. საეკლ. კრება, რ-ის ერთ-ერთ უფლებაში შედის ახ. კათალიკოს-პატრიარქის არჩევა. კათალიკოს-პატრიარქთან არსებობს სინოდი, რ-იც აერთიანებს ყველა მმართველ მღვდელმთავარს. სინოდის თავ-რეა კათალიკოს-პატრიარქი. ს. მ. ე. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (1962-იდან), ევროპის ეკლესიათა კონფერენციის, ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციის, ბიბლიის (თეოლ.). კომისიის, „ეკლესია და საზოგადოებისა" და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სამუშაო კომისიის წევრია. ს. მ. ე. მონაწილეობს მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილ რესპ., საკავშ. და მსოფლიო კონფერენციებსა და შეხვედრებში. ს. მ. ე-ის მეთაურია კათალიკოს-პატრიარქი ილია II (1977-იდან). იგი არჩეული იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად (1979 — 83). იხ. აგრეთვე ტ. *საქართველოს სსრ*, თავი რელიგია და ეკლესია.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები). [ტ.] 1, თბ., 1966; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979; M a p r H. Я., Исторический очерк грузинской церкви..., Журналы и протоколы заседаний Предсоборного Присутствия, т. 3, СПб., 1907, журнал № 5, 1 дек. 1906.

ბ. ლომინაძე.

საქართველოს მეცნიერების, მეცნიერებისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა, დაარსდა 1956 თბილისში მეცნიერებისა და მელიორაციის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბაზაზე, რ-იც შექმნილი იყო 1930 ს. ჩოლოყაშვილის ინიციატივით. აქვს 9 განყ-ბა, 9 ლაბორატორია, 7 სექტორი, საპატენტო-სალიცენზიო და საპროექტო ბიუროები. ინ-ტში გამოყვანილია ვაზისა და ხეხილის მრავალი ახ. ჯიში და ჰიბრიდი, დამუშავებულია ხეხილისა და ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების პროგრ. ტექნოლოგია, ვენახებისა და ბაღების გაშენება-მოვლის აგროლონისძიებათა რაციონალური სისტემა, ქართ. ღვინისა და კონიაკის ხარისხის გაუმჯობესების ტექნოლ. სქემები და სხვ. ინ-ტს ექვემდებარება 3 ზონალური საცდელი სადგური (საქარის, თელავისა და სკრის), 11 ექსპერ. მეურნ. და საყრდენი პუნქტი. აქვს ასპირანტურა, ბ-კა (100 ათზე მეტი ბიბლიოგრაფიული ერთეული), სამეცნ. მუზეუმი, სცემს „შრომებს".

ნ. ჩხარტიშვილი.

საქართველოს მეფუტკრეობის სამეცნიერო-საწარმოო რესპუბლიკური გაერთიანება საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა, სამეცნ.-კვლ. დაწესებულება. დაარსდა 1889 თბილისში მეაბრეშუმეობის სადგურთან ერთად. 1936 გამოეყო და მის ბაზაზე საქართვ. მეცხოველეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში შეიქმნა მეფუტკრეობის განყ-ბა. 1959 კი დაარსდა დამოუკიდებელი დაწესებულება მეფუტკრეობის საცდელი სადგურის სახელწოდებით, ხოლო 1976-იდან გადაკეთდა ს. მ. ს.-ს. რ. ბ-ად. აქვს განყ-ბები: მომშენებლობის, დაავადებებთან ბრძოლის, პროდუქტთა ტექნოლ., საკვები ბაზის, ეკონ. და ორგანიზაციის, ინფორმაციის. სადგურს ექვემდებარება რამდენიმე საყრდენი პუნქტი საგარეჯოში, გარდაბანში, ჩოხატაურში, დუშეთსა და ბათუმში. სადგურმა შეიმუშავა მომთაბარეობასთან დაკავშირებული ტექნოლოგია და ასაწყობ-დასაშლელი ზის სახლის ტიპი; გამოიკვლია ქართ. ფუტკრის სხვადასხვა პოპულაციის გეოგრ. ასპექტები და შეადგინა რეკომენდაციები საუკეთესოთა მოშენებისათვის; რეგულარულად იკვლევს ფუტკრის დაავადებათა გავრცელებას, მათ გამომწვევ მიზეზებს და წარმოებას აძლევს საჭირო რეკომენდაციებს მკურნალობის ღონისძიებათა შესახებ. აქვს ექსპერ. საფუტკრეები.

მ. მათეშვილი. ა. ხიდეშელი.

საქართველოს მთათაშორისი ბარი, ამიერკავკასიის მთათაშორისი ბარის ნაწილი. სივრცობლივ ემთხვევა *საქართველოს პელეტს*. დას. საქართველოში ს. მ. ბ. მოიცავს კოლხეთის დაბლობს (200 *მ*-მდე) და გორაკ-ბორცვიან მთისწინეთს (500 *მ*-მდე), იმერეთის მაღლობს (პლატო); აღმ. საქართველოში — შიდა და ქვემო ქართლის ვაკეებს (300 — 700 *მ*-მდე), ალაზნის ვაკეს, ივრის ზეგანს (800 — 900 *მ*-მდე). ს. მ. ბ-ს ზოგი აკუთვნებს აგრეთვე დაბალი და საშ. სიმაღლის ქედებს: კვერნაქები, საგურამოს ქედებს. ბარის დას. ნაწილში (კოლხეთი) ზღვის სუბტროპ. ნოტიო პავა, აღმ-ში ჰავა მშრალი და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპერა ბარის დაბალ ნაწილში (გარდა შიდა ქართლის ვაკისა) ყველგან დადებითია, მთებზე — უარყოფითი. ატმ. ნალექების მაქს. აჭარის სანაპიროზე 2000 *მმ*-ს აღემატება, აღმ. საქართვ. ბარის უკიდურეს აღმ-ში 400 *მმ*-ზე ნაკლებია.

მდინარეთა უდიდესი ნაწილი რიონისა და მტკვრის აუზებს მიეკუთვნება. უმრავლესობისათვის დამახასიათებელია გაზაფხულის წყალდიდობა და წყალმოვარდნები. კავკასიონის ზოგიერთი მდინარე მარადი თოვლისა და მყინვარების წყლითაც საზრდოობს. კოლხეთის მდ-ების ჩამონადენი 60—100 ლ-მდეა, აღმ. საქართვ. ბარის უკიდურეს აღმ. ნაწილში მცირდება 1—2 ლ-მდე ბარის დას. ნაწილში გავრცელებულია ჭაობის, ალუვიური, სუბტროპ. ეწერი, ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატული, ტყის ყომრალი ნიადაგები. ბარის აღმ. ნაწილში ტყის ყავისფერი, ნეშომპალა-კარბონატული, შავმიწები, წაბლა, დამლაშებული, ტყის ყომრალი ნიადაგები. კოლხეთში შემორჩენილია კოლხური ტყე მარადმწვანე ქვეტყითა და ლიანებით. ძირითადია მურყანი, მუხა, რცხილა, წიფელი, არის წაბლიც. ბარის აღმ. ნაწილში ჯაგეკლიანი და ვაციწვერიანი სტეპები, არიდული ნათელი ტყეები, ჭალის ტყეები, მუხნარები, რცხილნარები და წიფლნარებია.

კოლხეთში ჩამოყალიბებულია ძირითადად ნოტიო სუბტროპიკების ვაკეთა ლანდშაფტები და ნოტიო სუბტროპიკების ბორცვიანი მთისწინეთის ლანდშაფტები. აღმ. საქართველოს ბარში — ზომიერად ნოტიო სუბტროპიკების ვაკეთა ლანდშაფტები; მშრალი და ზომიერად მშრალი სუბტროპიკების ვაკეთა და ზეგნების ლანდშაფტები, ნოტიო ჰავიანი მთა-ტყის ლანდშაფტები.

გ. დეკანოიძე.

საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ი. ლომოურის სახელობისა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა, მდებარეობს მცხეთაში, თბილისიდან 22 *კმ*-ზე. ინ-ტი შეიქმნა 1956 საქართვ. მემინდვრეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბაზაზე. ინ-ტი იკვლევს მინდვრის კულტურების სელექცია-მეთესლეობისა და მათი კომპლ. აგროტექ. ღონისძიებების შემუშავების, ნიადაგის გაკულტურებისა და ეროზიისაგან დაცვის, სას.-სამ. მცენარეთა დაცვის, ფიზიოლ.-ბიოლ., საკვებმოპოვების, სტანდარტიზაციისა და სოფ. მეურნ. ეკონომიკა-ორგანიზაციის საკითხებს. აქვს შემდეგი განყ-ბები: სელექცია-გენეტიკის, მეთესლეობის, საკვებმოპოვების, მარცვლეული კულტურების, მებოსტნეობის, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიის, თესლბრუნვის და ნიადაგის მინიმალური დამუშავების, სოფ. მეურნ. ეკონომიკა-ორგანიზაციის, სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის; ლაბორატორიები: ბიოქიმ.-ფიზიოლ.; ქიმიური. ინ-ტს ექვემდებარება კახეთის, გორის, გარდაბნის, წყალტუბოსა და აჯამეთის საცდელი სადგურები, აგრეთვე მცხეთის სასელექციო სადგური; წილკნის, ჯინისის, სამგორის, ახალქალაქის, ხობის ექსპერ. მეურნეობები. ინ-ტს აქვს ასპირანტურა, სცემს სამეცნიერო „შრომებს".

ს. თედორაძე.

საქართველოს მწყართველი, მეფის რუსეთის ხელისუფალთა მიერ საქართველოში დაწესებული ადმინისტრაციული თანამდებობა. დაწესდა 1801 მაისში, როცა შეიღეს რუს. მმართველობის სისტემა. ს. მ. იყო საქართვ. მთავარმართებლის თანაშემწე, ამავე დროს პირველი აღმასრ. ექსპედიციის უფროსი. იარსება 1840 აპრმდე.

„საქართველოს მოამბე", ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, „*თერგდალეულების*" ორგანო; გამოდიოდა 1863 თბილისში. გამოვიდა 12 ნომერი. რედ.-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე. ჟურნალი ემსახურებოდა ქართვ. *საზოგადოებას* პოლიტ., ლიტ.-ესთეტ. იდეათა გავრცელებას; იბრძოდა საზ. ცხოვრების ძირეულად გარდაქმნისათვის, აშხილებდა ბატონყმური წყობილების ჩამორჩენილობას; მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობას („ს. მ"-ის მიზანი და დანიშნულება ჩამოყალიბებულია ი. ჭავჭავაძის სარედაქციო წერილში „საქართველოს მოამბეზედ"). ემსახურებოდა ქართ. ერის მთლიანობის აღდგენას, სოც. უთანასწორობის მოსპობას, შრომისა და პიროვნების თავისუფლების მოპოვებას, ხელოვნ. და ლიტ-რის დემოკრატიზაციას. ჟურნალი კატეგორიულად მოითხოვდა საზ. ცხოვრების ამოძრავებასა და განვითარებას. იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ს. აბაშიძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის, პ. ნაკაშიძის, ვ. თულაშვილის, ი. ოქრომჭედლიშვილის, დ. ყიფიანისა და სხვათა ნაწარმოებები. გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა ლექსები, მასალები საქართვ. ისტორიისათვის, კრიტ. და პუბლიც. წერილები, სტატიები ენათმეცნ., ეკონ., პედ. და საბუნებისმეტყველო საკითხებზე, თარგმანები და სხვ. „ს. მ-მ" მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართ. პრესისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში.

ლიტ.: გ ა გ ო ი ძ ე ვ., „საქართველოს მოამბე" (ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური იდეები), თბ., 1956; კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., „საქართველოს მოამბე". 1863—1963. მონოგრაფია, თბ., 1969; კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი დ., ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, «წიგნის მეგობარი», 1925, № 1, 2; ნ ა კ ა შ ი ძ ე თ., კორძაია ნ., ილია ჭავჭავაძე. ბიობიბლიოგრაფია (1857—1907). თბ., 1966; ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1852—1877), ნაკვ. 1, თბ., 1940; ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს., ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ნ., „საქართველოს მოამბე". 1863. ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია წინასიტყვაობით, საძიებლებით და შენიშვნებით, «ბიბლიოგრაფიის მოამბე», 1948, № 4—5.

ს. ხუციშვილი.

საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს სსრ სასოფ-

ლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა, დაარსდა 1930 საქართვ. ცენტრ. ფიტოპათოლოგიური სადეზინფექციო სადგურისა და გამოყენებითი ენტომოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე. ინ-ტს აქვს განყ-ებები: ფიტოპათოლოგიის (იმუნიტეტისა და სოკოვანი დაავადებების ლაბორატორია, მცენარეთა ბაქტერიოზების ლაბორატორია), ვირუსული და მიკოპლაზმური დაავადებების, ენტომოლოგიისა და გამოყენებითი ზოოლ., პროგნოზირებისა და ბიოსისტემების მოდელირების, ბიომეთოდის, მცენარეთა ქიმ. დაცვის (ინსექტოაკარიციდების ლაბორატორია, ფუნგიციდების ლაბორატორია), სარეველებთან ბრძოლის, ბიოფიზ., მექანიზაციის, ეკონომიკა-ორგანიზაციისა და დანერგვის, სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის, პროპაგანდისა და პატენტების. ინ-ტის ფილიალია აფხ. მცენარეთა დაცვის საცდელი სადგური, გარდაბნის ექსპერ. ბაზა და ნატანების საყრდენი პუნქტი. ინ-ტი იკვლევს სას.-სამ. კულტურების მავნებლებს, დაავადებებსა და სარეველებს. ამუშავებს მათთან ბრძოლის ინტეგრირებულ ღონისძიებებს, ახდენს საქართველოში მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. მუშაობის კოორდინირებას. მეთოდურ და პრაქტ. დახმარებას უწევს კოლ-ბებს, საბჭ. მეურნეობებს. ინ-ტს აქვს ასპირანტურა, ბ-კა, სცემს სამეცნ. „შრომათა კრებულებს" (ტ. 1—35, 1930—84).

მ. გვრიტიშვილი.

საქართველოს ნახშირის მოპოვებელი საწარმოო გაერთიანება (საქნახშირი), სსრ კავშირის ნახშირის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება ქ. ქუთაისში, ამუშავებს ტყიბულ-შაორისა და ტყვარჩელის ნახშირისა და ანთრაციტის მურა ნახშირის საბადოებს. აერთიანებს ტყიბულის ლენინის სახ., ორჯონიკიძის სახ., „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" (№ 2) შახტებს, ტყვარჩელის შახტების სამართველოებს—ლენინის სახელობისა (№8 და სსრკ 50-ე წლისთავის სახელობის შახტები) და ლაკობას სახელობისა (№2, №3 და №5 შახტები), ანთრაციტის №1 შახტს, ტყიბულისა და ტყვარჩელის ცენტრ. მამდიდრებელ ფ-კებსა და ორჯონიკიძის სახ. შახტის მომსახურე მამდიდრებელ ფ-კას.

საქ. სსრ-ში ნახშირის მოპოვება ტყიბულის საბადოს დამუშავებით დაიწყო 100 წელზე მეტი ხნის წინათ, ხოლო რუსთავის მეტალ. ქ-ნის მშენებლობასთან დაკავშირებით 1944-იდან ფართოდ გაიშალა შახტების მშენებლობა. 1945—48 ტყვარჩელში საფუძველი ჩაეყარა №3, №4, 5 და 6 შახტების მშენებლობას (წლიური საწარმოო სიმძლავრე 870 ათ. ტ), 1946 ტყვარჩელში, ხოლო 1953 ტყიბულში ამოქმედდა ნახშირის ცენტრ. მამდიდრებელი ფ-კები, 1948-იდან ახალციხის საბადოში დაიწყო მურა ნახშირის მოპოვება. 1928 საქართველოში მოიპოვეს 85 ათ. ტ,

საქართვ. ნახშირის მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ტყიბულის ქვანახშირის წარმოებას. ტყიბულ-შაორის საბადოს ბალანსური მარაგი 1980-თვის შეადგენდა 307 მლნ. ტ, ხოლო მთლიანად საქართველოში — 416 მლნ. ტ. გრძელდება გეოლ.-დაზვერვითი სამუშაოები ახ. მარაგის გამოსავლენად.

ტყიბულის აირიანი და ტყვარჩელის საკოქსე ნახშირის გამდიდრების პროდუქტების კონცენტრატებისაგან რუსთავის მეტალ. ქ-ნაში მიიღება მაღალი ხარისხის კოქსი თუჯის გამოსადნობად. გამდიდრების შუალედ პროდუქტებს სათბობად იყენებენ ტყვარჩელის სახელმწ. რაიონული ელექტროსადგური და სხვა მომხმარებლები (თბოელექტროსადგურები, ტრანსპ., კომუნალური-საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო და ა. შ.). ახალციხის მურა ნახშირის მომხმარებელია რუსთავის მეტალ. ქ-ნის თბოელექტროცენტრალი.

გ. ტაბატაძე.

საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მ. საბაშვილის სახელობისა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა, დაარსდა 1946 თბილისში. დაარსების ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო მ. *საბაშვილი*. აქვს განყებები: ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმ., მელიორაციის, ნიადაგის ეროზიის, კოლხეთის ათვისების, სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის; ლაბორატორიები: ნიადაგის ფიზ., იზოტოპების, მიკრობიოლ. ინ-ტი იკვლევს ნიადაგურ საფარს და ადგენს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების, რეკულტივაციისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების საკითხებს; სოფ. მეურნეობაში სასუქებისა და იზოტოპების სწორად გამოყენების ღონისძიებებს. ამუშავებს კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული და აღმ. საქართვ. დამლაშებული ნიადაგების მელიორაციის, ათვისებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. აქვს ასპირანტურა, ბ-კა (39 ათ. ბიბლიოგრაფიული ერთეული), 7 საყრდენი პუნქტი, სცემს „სამეცნიერო შრომათა" კრებულებს.

ო. ონიანი.

საქართველოს პარლამენტი, იხ. *საქართველოს ეროვნული საბჭო.*

„საქართველოს პიონერი", ვაშლის სასუფრე ჯიში. მიღებულია ზამთრის ოქროსფერი პარმენისა და ზამთრის ბანანის შეჯვარებით. უმეტესად გავრცელებულია აღმ. საქართველოში. ხე ინტენსიურად იზრდება. აქვს მომრგვალო-პირამიდული ვარჯი, მსხვილი და მომრგვალო ფორმის (ფუძესთან განიერი) ნაყოფი, თხელი, მოყვითალო, ღია წითლად შეფერილი კანი, რ-საც მუქი წყვეტილი ზოლები დასდევს. რბილობი მოყვითალოა, საშუალო სიმკვრივისა, ნაზი, წვნიანი, კარგი არომატი და გემო აქვს. ტრანსპორტაბელურია. ხე მსხმოიარობას იწყებს მე-5—მე-6 წელს, უხვმოსავლიანია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სპი) ვ. ი. ლენინის სახელობისა, 1922 შეიქმნა თსუ-ის პოლიტექნიკური ფაკულტეტი (ფაქტობრივად ეს წელი ითვლება სპი-ის დაარსების თარიღად). ფაკ-ტის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ი. *ჯავახიშვილს*, ნ. *მუსხელიშვილს*, ა. *დიდებულოვს*, გ. *წულუკიძეს*, ა. *ბენაშვილს*, ა. *რაზმაძეს*, გ. *ნიკოლაძეს*, ა. *ბარაძეს*, ვ. *კაკაბაძეს*, ა. *თვალჭრელიძეს*, გ. *მუხაძეს*, გ. *გედევანიშვილს*, ლ. *დიასამიძეს*, ი. *ყიფშიძეს* და სხვ. 1928 თსუ-ს გამოეყო პოლიტექ. ფაკ-ტი და მას შეუერთდა *თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი* (რუსული). 1930 სპი გაიყო 6 ინ-ტად (საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო, ამიერკავკ. ენერგეტ., სამთო-მეტალ., ქიმ.-ტექნოლ., გზათა ინჟინრებისა და საინჟინრო-მელიორ. ინ-ტები). საინჟინრო-მელიორაციული ინ-ტი გადაიტანეს ქ. კიროვაბადში. 1932 სამთო-მეტალ. და ქიმ.-ტექ. ინ-ტების ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკ. სამთო-ქიმ. ინ-ტი, ხოლო 1933 ეს ინ-ტები გაერთიანდა საინჟინრო-სამშენებლო და ენერგეტ. ინ-ტთან, რის შედეგად შეიქმნა ს. კიროვის სახ. ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტი, 1936-იდან ეწოდა ს. მ. კიროვის სახ. საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი, ხოლო 1947-იდან — ს. მ. კიროვის სახ. სპი. 1959 შას შეუერთდა ვ. ი. ლენინის სახ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი და ეწოდა ვ. ი. ლენინის სახ. სპი. სწავლება ინ-ტში მიმდინარეობს ქართულ და რუს. ენებზე. ინ-ტს აქვს დღის დასწრებული, საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი განყ-ებები. დღის დასწრებულ განყ-ბაზე სწავლება მხოლოდ თბილისშია, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ რესპ. სხვა ქ-ებშიც (რუსთავი, სოხუმი, ცხინვალი, გორი, ჭიათურა, ტყიბული), 1980 შეიქმნა სპი-ის ბათუმის ფილიალი. 1974 სპი-ს გამოეყო და ჩამოყალიბდა ქუთ. პოლიტექ. ინ-ტი. 1984 სპი-ში იყო 33 ფაკ-ტი და 103 კათედრა; სწავლობდა 29 ათ-ზე მეტი სტუდენტი (დასწრებულსა და დაუსწრებელზე), ინ-ტში მუშაობს 1900-მდე პედაგოგი, მ. შ. 103 პროფესორი და მეცნ. დოქტორი, 800-ზე მეტი დოცენტი და მეცნ. კანდიდატი. თავისი არსებობის მანძილზე ინ-ტმა მოამზადა რამდენიმე ათეული ათასი ინჟინერ-მ სახ. მეურნ. 70-ზე მეტ სპეციალობაში. სპი-ის აღზრდილთა შორის არიან ვ. ლენინისა და სახელმწ. პრემიის ლაურეატები, საბჭ. კავშირის გმირები, სოციალ. შრომის გმირები, მეცნ. და ტექ. გამოჩენილი მოღვაწეები. სპი წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნ.-კვლ. დაწესებულებას. ინ-ტს აქვს რამდენიმე პრობლემური და დარგობრივი ლაბორატორია, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროები. სპი-ის კათედრები ყოველწლიურად სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე რამდენიმე მლნ. მანეთის ღირებულების სამეცნ. თემებს ამუშავებენ. ინ-ტს აქვს უფლება ტექნიკის რამდენიმე დარგში მიიღოს დასაცავად დისერტაციები მეცნ. დოქტორისა და კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. ინ-ტში არის ფუნდამენტური ბ-კა, სტამბა, სამეცნ. ბაზა, სამი მუზეუმი. ინ-ტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ გამოქვეყნებულია მრავალი ათეული სახელმძღვანელო და მონოგრაფია. ყოველწლიურად ქვეყნდება ინ-ტის თანამშრომელთა შრომების დარგობრივი კრებულები. სპი მაღალკვალიფიციური საინჟინრო კადრების მომზადებისა და სამეცნ. კვლევის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა (1972) და შრომის წითელი დროშის ორდენით (1947).

ა. ძიძიგური.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი, იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები.


საქართველოს რევკომი, იხ. *საქართველოს რევოლუციური კომიტეტი.*

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, ავჯანყებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ორგანო. შეიქმნა 1921 წ. 16 თებ. საქართვ. კომპარტიის ხელმძღვანელობით. სოციალ. რევ. გამარჯვების შემდეგ ასრულებდა ხელისუფლების საგანგებო ორგანოს როლს, პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის პოლიტ.-სახელმწიფოებრივი ფორმის ფუნქციას. მისი მოვალეობა იყო ბურჟ. სახელმწ. ხელისუფლების ორგანოების ლიკვიდაცია და ახ. სახელმწ. ხელისუფლების ორგანოების შექმნა, საბჭოების არჩევნებამდე რევ. წესრიგის უზრუნველყოფა და პირველი რევ. გარდაქმნების განხორციელება. ს. რ. კ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, გ. ელისაბედაშვილი, ა. გეგეჭკორი, ა. ნაზარეტიანი და ბ. კვირკელია. 1921 წ. 25 თებ. ს. რ. კ-მა ხელში აიღო სახელმწ. ძალაუფლება და შეუდგა პროლეტარიატის დიქტატურის ცენტრ. და ადგილ. ორგანოების შექმნას. 8 მარტის სხდომაზე აირჩიეს მისი პრეზიდიუმი ფ.





„საქართველოს პიონერი". ვაშლის ჯიში. ქვემოთ—ნაყოფის ჭრილი.



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობის ადმინისტრაციული კორპუსი. არქიტ. მ. შავიშვილი. 1962. თბილისი

მახარაძის თაე-რეობით. პრეზიდიუმმა პრინციპულად მოიწონა საგუბერნიო, სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო რევკომების სისტემა, რ-თაც ადგილებზე ქმნიდნენ აჯანყებულები და პარტ. ორგანოები დანიშვნის წესით. ს. რ. კ-მა გაუქმებული მენშევიკური სამინისტროების ნაცვლად შექმნა სახელმწ. მმართველობის ახ. ორგანოები — სახ. კომისარიატები და სახ. კომისართა საბჭო. 11 მარტს მენშევიკური არმია და გვარდია დაშლილად გამოაცხადა და წითელი არმიის ქართ. ნაწილების შექმნას შეუდგა. 24 მარტს დაითხოვა დამფუძნებელი კრება, 22 მარტის დეკრეტით საფუძველი ჩაუყარა სასამართლოს რეფორმას; შექმნა მილიცია და საგანგებო კომისია კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. სახ. მეურნ. გაძღოლისათვის შექმნა სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, სამხ.-რევ. ხასიათის ღონისძიებებით განამტკიცა რესპ. საშინაო და საგარეო უშიშროება, აღადგინა მეგობრული კავშირ-ურთიერთობა მოძმე საბჭ. რესპუბლიკებთან, უზრუნველყო რესპუბლიკაში ეროვნ. უმცირესობათა სახელმწიფოებრივი მოწყობა ავტონომიის ფორმით. ს. რ. კ-მა და კომუნისტებმა, სარგებლობდნენ რა ვ. ი. ლენინის რჩევა-დარიგებით, მყარი საფუძველი ჩაუყარეს სოციალ. მშენებლობას საქართველოში. ს. რ. კ. წარმოადგენდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ორგანოს. ამ კავშირის შემდგომი განმტკიცების ინტერესები მოითხოვდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის უფრო დემოკრატიულ, ყოველისმომცველ საზ. ორგანიზაციებზე — საბჭოებზე გადასვლას.

წყარო: Борьба за упрочение Советской власти в Грузии (Сборник документов и материалов. 1921—1925 гг.). Составители: Качарава Ю. М., Меликидзе М. Е., Тоидзе Л. М., Цагарейшвили Ш. В., Тб., 1959; Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — март 1922 г.). Сборник документов и материалов. Составитель И. Д. Ахалая, Сух., 1963.

ლიტ.: ბახტაძე უ., რევკომები საქართველოში, «მნათობი», 1960, № 1; ერემოვი გ., საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 1960; კაჭარავა ი., საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925), თბ., 1956; მერკვილაძე ვ., თოიძე ლ., საქართველოს რევოლუციური კომიტეტების როლის მეცნიერული გაშუქებისათვის, «საბჭოთა სამართალი», 1965, № 4; Литвинова Г. И., Революционные комитеты в годы гражданской войны, М., 1974; Сумбадзе Н. Д., К истории строительства советского государства в Грузии, Тб., 1975.

ი. კაჭარავა.

საქართველოს საბჭოების I ყრილობა, გაიმართა 1922 წ. 25 თებ.—4 მარტს თბილისში. დაესწრო 307 დელეგატი გადამწყვეტი და 73 სათათბირო ხმით. დღის წესრიგი: საქართვ. საერთაშ. და საშინაო მდგომარეობა (ფ. მახარაძე), ამიერკავკ. ფედერაციის შესახებ (მ. ორახელაშვილი), სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს (მ. ტროშელიძე), სასურსათო საქმის სახ. კომისარიატის (ა. ერქომაიშვილი), მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის (ი. ჟვანია), წითელი არმიის ორგანიზაციის (სერგო ორჯონიკიძე), შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ (ფ. მახარაძე), საქ. სსრ კონსტიტუციის დამტკიცება (ბ. კვირკელია), არჩევნები.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საქართვ. მუშათა კლასმა და გლეხობამ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მოკლე დროში დაძლია უაღრესად დიდი სიძნელეები როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში. ამოცანა მდგომარეობდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებასა და ყველა ერთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში. ამიერკავკ. ფედერაციის შესახებ ყრილობამ აღნიშნა, რომ საქართვ., აზერბ. და სომხ. რესპუბლიკების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მათ გაერთიანებას ეკონ., პოლიტ. და სამხ. სფეროში, ამასთანავე, თითოეული რესპ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის შენარჩუნებას. ყრილობამ დაავალა საქართვ. მომავალ ცაკს პირველ სხდომაზე განეხილა ამ კავშირის განხორციელებისათვის პრაქტ. ღონისძიებები. ყრილობამ აღნიშნა, რომ სასურსათო კომისარიატს თავისი მუშაობა უნდა დაექვემდებარებინა ახ. ეკონ. პოლიტიკისადმი. საქართვ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს დაევალა ეკონ. პოლიტიკის გატარების დროს გაეთვალისწინებინა რესპ. კონკრ. პირობები. წითელი არმიის შექმნაში აუცილებლად ჩათვალა საბჭ. რუს. დიდი გამოცდილების გამოყენება, შეიმუშავა ღონისძიებები შიმშილობასთან ბრძოლის საქმეში.

ყრილობამ მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელებს, რომ იგი იწონებს ახ. ხელისუფლებას და კვლავაც დაიცავს ქვეყანას კონტრრევოლუციისა და ინტერვენციისაგან, ყოველნაირად განამტკიცებს მას. ყრილობამ მიიღო საქ. სსრ პირველი კონსტიტუცია. აირჩია ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი (ცაკ), ხოლო ცაკმა თავის პირველ სხდომაზე შექმნა მთავრობა — საქართვ. სახ. კომისართა საბჭო, აირჩია დელეგატები ამიერკავკ. სფსრ I ყრილობისათვის.

პუბლ.: საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921—1937 წწ.), თბ., 1980.

გ. ნარსია.

საქართველოს საბჭოების II ყრილობა, გაიმართა 1923 წ. 30 დეკ.—1924 წ. 3 იანვ. თბილისში. დაესწრო 318 დელეგატი გადამწყვეტი, 26 — სათათბირო ხმით. დღის წესრიგი: საქ. ცაკის (მ. ცხაკაია), საქ. სახ. კომისართა საბჭოს (შ. ელიავა) ანგარიშები, საკავშ. ხელშეკრულების რატიფიკაცია (მ. ორახელაშვილი), მოხსენებები საქ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს (ჟორჟიკაშვილი), საქ. ელექტრიფიკაციის (ბ. ჭიჭინაძე), მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის (ვ. სტურუა), მაზრების რ-ნებად დაყოფისა და სათემო აპარატების გამარტივების (ა. გეგეჭკორი), ქართ. დივიზიის (თ. ყულტა), განათლების სახ. კომისარიატის (მარ. ორახელაშვილი) შესახებ, არჩევნები. ყრილობამ მიღებულ რეზოლუციაში „ეკონომიკური პოლიტიკის მორიგი ამოცანები" ხაზი გაუსვა სოფ. მეურნ. აღორძინებისა და განვითარების აუცილებლობას. ეკონ. პოლიტიკის მთავარ ამოცანად დასახა სახელმწ. წარმოების დაახლოება გლეხურ მეურნეობასთან. ამ მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო: სოფლის მოხმარებისათვის აუცილებელი საგნების გაიაფება, იაფი სამეურნეო სესხის მიწოდება გლეხებისათვის, ფართო დახმარება სას.-სამ. კოოპერაციისათვის. ყრილობამ ქვეყნის ეკონ. და კულტ. აღორძინების დასაჩქარებლად აუცილებლად ჩათვალა სამთამადნო საქმისა და წყლის ენერგიის გამოყენება, მოიწონა მთავრობის ღონისძიებები ჭიათურის მანგანუმის ამოღებისა და ექსპორტის ორგანიზაციის საქმეში. აუცილებლად მიიჩნია ქვანახშირის მოპოვება-დამუშავების პროცესების გაუმჯობესება, სპეც. ორგანოების ჩამოყალიბება: პირველი, რ-იც შეისწავლიდა რესპ. ბუნებრივ სიმდიდრეებს და მათ დამუშავებას და მეორე, რ-იც შეიმუშავებდა ქვეყნის ელექტრიფიკაციის გეგმას და უხელმძღვანელებდა მის განხორციელებას.

ყრილობამ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს დაავალა აგრ. რეფორმის შედეგების განმტკიცება: სოფლად მიწათმოწყობა, მიწის ფონდის გამორკვევა, სპეციებითა და სარწყავებით სარგებლობის მოწესრიგება, ტყეების მიზანშეწონილად გამოყენების დაწესება (კოდექსით), საჭირო თანხების გამოყოფა ვეტ.-სანიტ. და მისი მაშველი ორგანიზაციისათვის. განსაკუთრებით გაესვა ხაზი ჩაისა და თამბაქოს კულტურათა განვითარების, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობისა და სხვ. დარგებისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობას.

ყრილობამ მიიღო დებულებები სამაზრო აღმასრ. კომიტეტების, სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასკომების შესახებ, განსაზღვრა მათი ფუნქციები და ორგანიზაცია, კომიტეტის წევრთა უფლება-მოვალეობანი. გადაწყდა ახ. ქართ. დივიზიის შექმნა ტერიტ. საფუძველზე, მუდმივი ჯარის შემცირება და სამილიციო სისტემაზე გადასვლა. ყრილობამ მოახდინა საკავშ. კონსტიტუციის რატიფიკაცია. აირჩია საქ. ცაკი 95 წევრისა და 43 კანდიდატის შემადგენლობით, ამიერკავკ. საბჭოების II ყრილობის დელეგატები.

პუბლ.: სრულიად საქართველოს მუშათა და გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა, ტფ., 1925.

გ. ნარსია.

საქართველოს საბჭოების III ყრილობა, გაიმართა 1925 წ. 5—9 აპრ. თბილისში. დაესწრო 353 დელეგატი გადამწყვეტი და 25 — სათათბირო ხმით. მ. შ. იყო: 84 მუშა, 100 გლეხი, 137 მშრომელთა ინტელიგენციის წარმომადგენელი, 265 სკკპ და ალკკ წევრი, 277 ქართველი, 38 სომეხი, 14 აფხაზი, 12 რუსი, 11 თურქი, 11 ოსი, 7 სხვა ეროვნების წარმომადგენელი. დღის წესრიგი: საქ. სსრ მთავრობის ანგარიში (შ. ელიავა), მოხსენებები მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის (ი. ჟვანია), სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს (მ. ტროშელიძე), განათლების სახ. კომისარიატის (მარ. ორახელაშვილი), წითელი არმიის ტერიტ. ნაწილების (კორკი), სას.-სამ. კრედიტის (კ. კაკაბაძე), ამიერკავკ. სფსრ კონსტიტუციის შესახებ, არჩევნები.

ყრილობამ აღნიშნა საქართვ. მთავრობის დიდი მუშაობა ქვეყნის სამეურნეო და კულტ. განვითარების საქმეში, რ-იც მთლიანად შეეფერებოდა მშრომელთა ინტერესებს. ყრილობამ მიიღო სოფ. მეურნ. განვითარების პერსპექტიული გეგმა და მთავრობას დაავალა შინაური და საგარეო ბაზრის უზრუნველყოფა. საგადასახადო პოლიტიკის სოფ. მეურნ. ინტერესებისათვის შეფარდება, სოფლის მშრომელებისათვის აგროდახმარება, გაფორმება, სათესლე მასალისა და სას.-სამ. იარაღების მიწოდება. ყრილობამ სას.-სამ. კრედიტი გლეხის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ საშუალებად ჩათვალა. კრედიტით დახმარება უნდა მიეღოთ პირველ რიგში ღარიბ და საშუალო გლეხებს, მათ კოოპ. და კოლექტ. ორგანიზაციებს. ყრილობამ განსაკომის ყურადღებისა და ზრუნვის საგნად ჩათვალა სკოლა-ოთხწლედი, მისი რიცხობრივი გაზრდა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ყურადღება გაამახვილა პროფტექ. განათლებაზე და ყველა ეროვნებათა სკოლის სასწ. სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაზე.

ყრილობამ წითელი არმიის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობაში უმთავრეს ამოცანად ჩათვალა ტერიტ. სისტემის განმტკიცება და გაუმჯობესება, რაშიც უშუალო მონაწილეობა საბჭ. ხელისუფლების ორგანოებს უნდა მიეღოთ; აირჩია ცაკის წევრები და ამიერკავკ. საბჭოების VII ყრილობის დელეგატები.

პუბლ.: სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), ტფ., 1925.

საქართველოს საბჭოების IV ყრილობა, გაიმართა 1927 წ. 28 მარტ—3 აპრ. თბილისში. დაესწრო 367 დელეგატი გადამწყვეტი, 110 — სათათბირო ხმით. მ. შ. იყო: 362 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 31,6% მუშა, 21% გლეხი, 41,6% მუშა-მოსამსახურე, 107—დაბალი, 110—საშ., 50 უმაღლესი, განათლების, 331 ქართველი, 51 სომეხი, 34 რუსი, 14 აფხაზი, 14 ოსი, 13 თურქი, 1 გერმანელი. დღის წესრიგი: მოხსენებები ამიერკავკ. სფსრ მთავრობის (ხანოიანი), საქ. სსრ მთავრობის (შ. ელიავა), საქ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს (ავაქოვი), სოფ. მეურნ. ამოცანების შე-

სახებ (ფ. მახარაძე), საქ. სსრ კონსტიტუციის დამტკიცება (ი. ვარძიელი), არჩევნები.

ყრილობამ სავსებით მოიწონა მთავრობის მიერ აღებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტრიფიკაციის კურსი, რაც სახ. მეურნ. აღორძინების მტკიცე საფუძველი იყო. მთავრობას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ყველა დაწყებული ქ-ნის, ფ-კისა და ჰიდროსადგურის მშენებლობის დამთავრებისათვის. რესპუბლიკაში უნდა შექმნილიყო სათანადო პირობები მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის. დიდი მნიშვნელობა მიეცა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების დამუშავებას და ნავთის გამომშობელი ქ-ნის აშენებას. ყრილობამ ყურადღება გაამახვილა განათლების, ჯანმრთელობის, კულტ. განვითარების, სახელმწ. ვაჭრობისა და კოოპ. მუშაობის გაუმჯობესებისა და საგზაო მშენებლობათა გაფართოების საკითხებზე. სახ. მეურნ. რეკონსტრუქციის პერიოდში სოფლის მეურნეობა მთელი სახ. მეურნ. განვითარების მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენდა. ამიტომ ყრილობამ დასახა აგროკულტ. ღონისძიებათა ფართო გეგმა: საქართვ. სოფ. მეურნ. დაყენება სოციალ. მიწათმოქმედების გზაზე, კოოპ. მარტივი ფორმებიდან გლეხობის თანდათან უფრო მაღალ ფორმებზე გადაყვანა, სას.-სამ. წარმოების გაფართოება უმთავრესად მეურნეობის ინტენსიფიკაციის, ღარიბი მეურნეობების მექანიზაციისა და ფინანს. დახმარების გაწევის, საბჭ. მეურნეობებისათვის ხელის შეწყობის, სათესლე, სანერგე. საჯიშე მასალის შექმნისა და დამუშავება-გამოყენების მაღალი ტექ. ფორმების გავრცელების გზით.

ყრილობამ დაამტკიცა საქ. სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) ტექსტი. აირჩია საქ. ცაკი 195 წევრისა და 81 კანდიდატის შემადგენლობით, ამიერკავკ. საბჭოების II ყრილობის დელეგატები.

პუბლ.: სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), ტფ., 1927. *გ. ნარსია.*

საქართველოს საბჭოების V ყრილობა, გაიმართა 1929 წ. 8—15 აპრ., თბილისში. დაესწრო 392 დეპუტატი გადამწყვეტი, 66 — სათაბირო ხმით. მ. შ. იყო: 316 ქართველი, 53 სომეხი, 24 რუსი, 22 თურქი, 16 აფხაზი, 12 ოსი, 7 ბერძენი, 1 გერმანელი, 1 ებრაელი, 6 სხვ. ეროვნების წარმომადგენელი; 364 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 9 ალკკ წევრი, 85 უპარტიო, 80 გლეხი, 75 საწარმოს მუშა, 214 მოსამსახურე, 9 მოჯამაგირე.

დღის წესრიგი: საქ. სსრ მთავრობის ანგარიში (ფ. მახარაძე), სოფ. მეურნ. განვითარებისა და სოფლად კოოპ. მშენებლობის შესახებ (ს. ჯუღელი), მრეწვ. განვითარების ხუთწლიანი გეგმა (ბ. ჭიჭინაძე), საქ. სსრ დარაიონების შესახებ (გ. მგალობლიშვილი), არჩევნები.

ყრილობამ აღნიშნა საქართვ. მრეწვ. ხვ. წონის ზრდა სახ. მეურნ. საერთო განვითარებაში, ამასთან, მრეწვ. ზრდის მხრივ რესპუბლიკა ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა. ამიტომ ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაზრდა, უპირველეს ყოვლისა კი წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება. მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია რესპ. საწარმოო ძალთა გამოკვლევისა და შესწავლისათვის, ნედლეული რესურსების გამოყენების გაძლიერებისათვის. ყრილობამ მიუთითა სამრეწვ. საქონლის ნაკლებობაზე და მის გამოსასწორებლად საჭიროდ ჩათვალა არსებული ფ-კა-ქ-ნების სრული დატვირთვით მუშაობა, ხოლო ახლად დაწყებულ მშენებლობათა რაც შეიძლება სწრაფი ტემპით დამთავრება და ამუშავება; ყურადღება გაამახვილა საქართვ. მრეწვ. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე, შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე. მაღალკვალიფიციური მუშახელის მომზადება-გადამზადებაზე, მუშათა მატერ. და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე და სხვ.

ყრილობამ, სოფ. მეურნ. და სას.-სამ. კოოპ. განვითარების პერსპექტიული გეგმის შესახებ აღნიშნა, რომ კოლ-ბათა მშენებლობაში უნდა ჩაებათ მშრომელი გლეხობის მეტი პროცენტი, უზრუნველეყოთ კოლ-ბათა არა მარტო რაოდენობრივი ზრდა, არამედ ხარისხობრივი განმტკიცებაც. საბჭ. მეურნეობების ხაზით ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ახ. საბჭ. მეურნეობების ფართო მშენებლობა, მათი აგროტექ. და საჩვენებელი როლის გაძლიერება.

ყრილობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა უკვე დაწყებულ დიდ სამელიორაციო სამუშაოთა დამთავრებას და ახ. სამუშაოთა დაწყებას, სოფ. მეურნ. უმაღლესი, საშ. და დაბალი აგრონ. კვალიფიკაციის კადრებით უზრუნველყოფას. ყრილობამ მიიღო დადგენილება საქ. სსრ მშენებლობის განვითარების I ხუთწლიანი გეგმის შესახებ. გადაწყვეტილებაში საქ. სსრ დარაიონების შესახებ განსაზღვრა სამსაფეხურიანი ადმ. სისტემა: ოლქი, რ-ნი, სოფლის საბჭო.

პუბლ.: სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), ტფ., 1929. *გ. ნარსია.*

საქართველოს საბჭოების VI ყრილობა, გაიმართა 1931 თებ., თბილისში. დაესწრო 450 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. მ. შ. იყო: 71,9% ქართველი, 11% სომეხი; 5,7% რუსი, 4,8% თურქი.

დღის წესრიგი: ამიერკავკ. სფსრ მთავრობის (გ. ყურულაშვილი), საქართვ. მთავრობის (ფ. მახარაძე), ანგარიშები, მოხსენებები საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიისა და საკოლმ. მშენებლობის ამოცანები (შ. მათიკაშვილი), 1931 მრეწვ. საკონტროლო ციფრები (ბ. გოგია), საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ (გ. დევდარიანი), ცვლილება საქ. სსრ კონსტიტუციაში, არჩევნები.

ყრილობამ სავსებით მოიწონა მთავრობის საქმიანობა და დაავალა მას 1931-თვის უზრუნველეყო: ფერომანგანუმის ქ-ნის მშენებლობა ზესტაფონში, ლითონისა — თბილისში, ლითოპონისა — ქუთაისში, უნდა დამთავრებულიყო აგრეთვე რიონჰესისა და ალაზანჰესის მშენებლობა. განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სამშენებლო მასალის წარმოების დავალებათა შესრულებაზე და ნავთობის მრეწვ. განვითარებაზე. სოფ. მეურნ. დარგში ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ტექ. კულტურების ნათესი ფართობების გაზრდის (2-ჯერ) საჭიროებას. ხეხილის ბაღების, ბოსტნეულისა და ბაღჩების ფართობის გადიდებას. გაამახვილა ყურადღება მეცხოველეობის განვითარებასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობაზე. 1931 სოციალ. მიწათმოქმედების განვითარებას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე უნდა შეექმნა პირობები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. ამასთან, ყრილობამ აღნიშნა, რომ ზოგიერთ რ-ნში კოლ-ბები არ იყო ორგანიზაციულად განმტკიცებული, არ იყო შრომის სწორი ორგანიზაცია, სუსტად იყო დანერგილი შრომის სოციალ. მეთოდი. თავს იჩენდა საკოლმ. მოძრაობაში „შემარცხენე" გადახრები: ნებაყოფლობითი პრინციპის უგულებელყოფა, კოოპ. უმაღლეს ფორმაზე — კომუნაზე გადასვლა, საშ. გლეხობის როლის შეუფასებლობა, ადგილ. ეკონ. პირობებისათვის ანგარიშგაუწევლობა. ყრილობამ მოითხოვა საადგილმამულო და საკოლმ.-კოოპ. ორგანოთა აპარატის მუშაობის მთლიანად გარდაქმნა. ყრილობამ საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღებაზე მიიღო სპეც. რეზოლუცია. გაითვალისწინა აფხ. საბჭოების ყრილობის შუამდგომლობა აფხ. სსრ-ის საქ. სსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიური სსრ-ის სახით შესვლის შესახებ და შეიტანა სათანადო ცვლილება კონსტიტუციაში. ყრილობამ აირჩია ცაკის წევრები და ამიერკავკ. VI ყრილობის დელეგატები.

პუბლ.: საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921—1937 წწ.), თბ., 1980. *გ. ნარსია.*

საქართველოს საბჭოების VII ყრილობა, გაიმართა 1935 წ. 10—14 იანვ. თბილისში. დაესწრო 583 დელეგატი. მ. შ. იყო: 117 მუშა, 87 კოლმეურნე, აქედან 50% მოსამსახურე, 423 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 18 ალკკ წევრი, 413 ქართველი, 51 სომეხი, 48 რუსი, 27 თურქი, 14 აფხაზი, 9 ოსი, 21 სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

დღის წესრიგი: მთავრობის ანგარიში (გ. მგალობლიშვილი), კოლხიდის მშენებლობის შესახებ (ბ. გოგია), განათლების შესახებ (ა. თათარაშვილი), კონსტიტუციის ზოგიერთი საკითხი (თ. ჟღენტი), არჩევნები.

საქართვ. სახ. მეურნ. ყველა დარგის შემდგომი წინსვლის მიზნით ყრილობამ მთავრობას დაავალა ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი განვითარება: 1934 ტყვარჩელის რ-ნული ჰესის პირველი რიგის ამუშავება, 1935 — აწჰესისა, 1937 — ხრამჰესისა; ტყვარჩელის ქვანახშირის ამოღების გადიდება და ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქცია. ჭიათურის მანგანუმის საბადოთა რეკონსტრუქციის დაჩქარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოლიბდენის საბადოთა დამუშავების, სამშენებლო მასალათა მრეწვ. მსუბუქი და კვების ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის.

სოფ. მეურნ. დარგში მთავარ ამოცანად დაისახა კოლ-ბათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება. სუბტროპ. კულტურათა (ჩაი, ციტრუსები), მევენახეობის, მეხილეობის შემდგომი განვითარება და მოსავლიანობის გადიდება. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეთა შორის მუშაობის გაძლიერება, საკოლმ. მუშაობაში მიღწეული წარმატებების განმტკიცება. ყრილობამ არასაკმარისად ჩათვალა მეცხოველეობის აღმავლობის დარგში დასახული გეგმა და დაავალა ცაკსა და მთავრობას მიეღოთ ყველა ზომა ამ დარგის დასაწინაურებლად. საგზაო და ტრანსპ. ხაზით ყრილობამ დასახა საგზაო მშენებლობის ფართო პროგრამა 2—3 უახლოესი წლისათვის.

ყრილობამ 1936-თვის დაგეგმა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოზრდილთა შორის. კოლხიდმშენის შესახებ მიღებულ დადგენილებაში ყრილობამ აღნიშნა, რომ დას. საქართვ. რ-ნების მთელი მოსახლეობის საუკუნეობრივი ოცნება — თავი დააღწიოს მალარიას და კოლხიდის ჭაობს, წყალდიდობას, სულ უფრო რეალურად ხორციელდებოდა. ყრილობამ დასახა 1935-თვის მდ. რიონის კალაპოტის შეცვლის სამუშაოების დამთავრება, ამასთან საჭიროდ ცნო სპეც. ღონისძიებათა გატარება კოლხეთის ტყეების ექსპლუატაციისა და ქარსაცავი ზონების შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ამოშრობილ მიწებზე ახ. დასახლებების შეღავათიან პირობებში შექმნა.

კულტ. მშენებლობის დარგში მთავრობას დაევალა ღონისძიებათა დამუშავება სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის განვითარების დასაჩქარებლად, აგრეთვე ქართ. კულტ. და ისტ. მნიშვნელოვანი ძეგლების დაცვა და გამოკვლევა. ყრილობამ სათანადო ღონისძიებები დასახა სტუდენტთა მატერ. და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სასწავლებელთა ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, სასწ. სახელმძღვანელოებითა და ლიტ-რით უზრუნველსაყოფად, ყრილობამ შეიტანა ზოგიერთი ცვლილება საქ. სსრ კონსტიტუციაში.

ყრილობამ აირჩია საქ. ცაკის წევრები და ამიერკავკ. სფსრ საბჭოების დელეგატები.

პუბლ.: სრულიად საქართველოს საბჭოთა VII ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), ტფ., 1935. *გ. ნარსია.*

საქართველოს საბჭოების VIII სა-განგებო ყრილობა, გაიმართა 1936 წ. 15 ნოემბ. და 1937 წ. 10—13 თებ. თბილისში. პირველ სხდომაზე განიხილა სსრკ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები და საქ. სსრ კონსტიტუციის პროექტი. ყრილობამ დაადგინა მორიგი სხდომების მოწვევა სსრკ VIII საგანგებო ყრილობის ჩატარების შემდეგ, რ-საც უნდა მიეღო ახ. კონსტიტუცია. აირჩია დელეგატები სსრკ VIII-საგანგებო ყრილობაზე. თებ-ში ყრილობამ მუშაობის განახლების შემდეგ მიიღო საქ. სსრ ახ. კონსტიტუცია. ამასთან, დაადგინა ამიერკავკ. სფსრ-ისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების ლიკვიდაცია.

პუბლ.: საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები (1921—1937 წწ.), თბ., 1960. *გ. ნარსია.*

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, იხ. ტ. *საქართველოს სსრ.*

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, საბჭ. საქართველოს ძირითადი კანონი. მისი ისტორია დაკავშირებულია საბჭ. საქართ. სახელმწიფოებრიობის შექმნა-განვითარებასთან. 1922 წ. 2 მარტს საქართ. საბჭოების I-მა ყრილობამ დაამტკიცა საქ. სსრ კონსტიტუცია, რ-შიც აისახა რესპუბლიკაში სოციალ. რევ. გამარჯვების შედეგები და მისი მონაპოვარი განვლილი ერთი წლის მანძილზე. საბჭ. საქართ. პირველმა კონსტიტუციამ მთლიანად გაიზიარა რსფსრ-ის 1918 კონსტიტუციით დადგენილი ლენინური პრინციპები და ამავე დროს გაითვალისწინა ის სპეციფიკა, რაც საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. კონსტიტუციით განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს არსებობა საბჭ. რესპ. ფორმით, დადგინდა სახელმწ. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა სისტემა, მათი ფუნქციები, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, საბჭ. საარჩევნო სისტემა, საქ. სსრ I კონსტიტუცია მოკლე დროით — მხოლოდ 5 წელი მოქმედებდა, რაც ამიერკავკ. სფსრ-ისა და სსრკ-ის შექმნამ განაპირობა. საქართ. საბჭოების IV ყრილობამ სსრკ-ის 1924 და ამიერკავკ. სფსრ-ის 1926 კონსტიტუციების შესაბამისად, 1927 წ. 4 აპრილს დაამტკიცა საქ. სსრ ახ. კონსტიტუცია. II კონსტიტუციაში აისახა რესპ. სამართ. მდგომარეობა, რაც მას განესაზღვრა ამიერკავკ. სფსრ-ში და მისი მეშვეობით სსრკ-ში გაერთიანებით.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საჭირო გახდა მისი შესაბამისი კონსტ. შემუშავება. სსრკ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ 1936 წ. 5 დეკ. მიიღო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუცია. მისი დამტკიცებისას გაუქმდა ამიერკავკ. სფსრ და საქ. სსრ უშუალოდ შევიდა სსრკ-ის შემადგენლობაში. სსრკ 1936 კონსტ. სრული შესაბამისობით საქ. სსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ 1937 წ. 13 თებ. დაამტკიცა საქ. სსრ III კონსტიტუცია, რ-მაც ასახა 1936 საკავშ. კონსტ. ყველა პრინციპული დებულება, ამავე დროს გაითვალისწინა ადგილ. თავისებურებანი, დააკანონა საქ. სსრ-ის უშუალოდ შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ კონსტიტუციით შეიცვალა სახელმწ. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა როგორც სისტემა, ისე შექმნის წესი და ორგანიზაციული მუშაობის ფორმები, საარჩევნო სისტემა, გაფართოვდა მოქალაქეთა უფლებები და ა. შ.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გარდაქმნამ საერთო-სახალხო სახელმწიფოდ და განვითარებული სოციალ. საზ-ბის აშენებამ განაპირობა ახ. კონსტ. შემუშავება. სსრკ ახ. კონსტიტუცია დაამტკიცა სსრკ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიამ 1977 წ. 7 ოქტომბერს. მის შესაბამისად კი შემუშავდა საქ. სსრ ახ. (IV) კონსტიტუცია, რ-იც მიიღო საქ. სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ 1978 წ. 15 აპრილს.

საქ. სსრ მოქმედი კონსტიტუცია სავსებით შეესაბამება სსრკ-ის 1977 კონსტიტუციას და ამავე დროს ითვალისწინებს რესპ. თავისებურებებს (იხ. ტ. *საქართველოს სსრ,* თავი სახელმწიფო წესწყობილება, კანონმდებლობა). *გ. ერემოვი.*

საქართველოს საეგზარქოსო, მეფის მთავრობის მიერ შექმნილი საეკლესიო-ადმინისტრაციული ორგანო. შეიქმნა 1811 იელ-ში იმ რეფორმის შედეგად, რ-იც გაატარა ცარიზმმა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართ. ეკლესიის რუს. ყაიდაზე გარდასაქმნელად. ს. ს-ს სათავეში ედგა *ეგზარქოსი,* რ-იც რუს. უწმინდეს სინოდს ემორჩილებოდა.

XIX ს. 20-იან წლებში ს. ს-ში შედიოდა: აღმ. საქართველოს, იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმისა და ვლადიკავკაზის (ჩრდ. კავკასია) ეპარქიები. შემდგომში ს. ს-ს ტერიტ. უფრო გაფართოვდა და XIX ს. მიწურულს მასში შევიდა მთელი ამიერკავკასია, ჩრდ. კავკასია და კასპიის ზღვის აღმ. მხარეც. ს. ს. მიზნად ისახავდა და ყოველნაირად უწყობდა ხელს საქართველოში ცარიზმის დამკვიდრებასა და ბატონობას. მისი ინიციატივით საქართველოში იქმნებოდა რელიგ. საზ-ბები და ორგანიზაციები, რ-ებიც ყველა საშუალებით ებრძოდნენ მოსახლეობაში მატერიალ.-რევ. იდეოლოგიის გავრცელებას. საეგზარქოსომ, იქ გაბატონებულმა რეაქციონერმა სამღვდელოებამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამიერკავკასიაში რევ. მოძრაობის აღმავლობის წლებში. მოსახლეობის გაბატონებული კლასისადმი მორჩილების სულისკვეთებით აღზრდის მიზნით ს. ს-მ საქართველოში გახსნა სას. ტიპის სასწავლებლები — სას. სემინარიები თბილისსა (იხ. *თბილისის სასულიერო სემინარია*) და ქუთაისში (1894—1904), სას. სასწავლებლები თბილისში, ქუთაისში, გორში, სენაკში, სიღნაღსა და ოზურგეთში. მიუხედავად თავისი რეაქციული მიზნებისა, სასწავლებლებმა პროგრესულად განწყობილი პედაგოგების წყალობით (ი. გოგებაშვილი, პ. იოსელიანი, თ. ჟორდანია, კ. კეკელიძე, ვ. ბარნოვი და სხვ.)., რ-ებიც ს. ს-ს სასწავლებლებში მოღვაწეობდნენ, გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ქართვ. ხალხის ცხოვრებაში.

მას შემდეგ, რაც საქართვ. ეკლესიამ მოახერხა ავტოკეფალიის აღდგენა (1918 მაისი), ს. ს-მ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ეკლესიის რეაქციული როლი 1905—07 წლების რევოლუციაში, თბ., 1959; ხუციშვილი მ., საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, თბ., 1972; [Епископ Кирион], Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901 ((კრიპტ.: Е. К.). *ს. რუხაძე.*

„საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“, საეგზარქოსოს ოფიციალური ორკვირეული ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1891-იდან 1916-მდე. დაარსდა თბილ. სას. სემინარიასთან. რედაქტორი — თბილ. მართლმადიდებელთა სას. სემინარიის რექტორი ან ინსპექტორი, გამომცემელი — სას. სემინარია. იბეჭდებოდა ქართ. და რუს. ენებზე (ქართ. ტექსტი რუსულის თარგმანს წარმოადგენდა). აქვეყნებდა სას. უწყების ბრძანებებს, ცირკულარებს და სხვა ოფიც. საეკლესიო მასალას, ქადაგებებს, მოძღვრებებს, სიტყვებს, სტატიებს საეკლ. საქმეთა შესახებ და სხვ.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო, საზღვაო სამინისტროს ადმინისტრაციული ერთეულია სსრ კავშირში. ჩამოყალიბდა 1967. სამმართველო ქ. ბათუმშია. სსრკ ტერიტორიაზე სანაოსნოები ემსახურება შავი და აზოვის ზღვის აუზებს, ბალტიის ზღვის აუზს, ჩრდილოეთის აუზს, შორეული აღმოსავლეთის აუზსა და კასპიის ზღვის აუზს. მცირე კაბოტაჟური (შიდა) გადაზიდვის თვალსაზრისით ერთ ერთეულად განიხილება შავი და აზოვის ზღვები, თეთრი ზღვა და ყინულოვანი ოკეანე, იაპ. ოზოტისა და ბერინგის ზღვები. ს. ს. ს-ს გემები სპეციალიზებულია ხასასხმელი ტვირთის (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების) გადასაზიდად. ს. ნაოსნოს გემები (ტანკერები), რ-ებიც აგებულია საზღვაო ფლოტის თანამედროვე ტექ. დინებზე, დედამიწის ბევრ ზღვასა და ოკეანეს სერავენ. ს. ს. ს-ს აქვს ორი მცურავი სახელოსნო და 10 ათ. ტ ტვირთამწეობის დოკი. ხომალდების კაპიტ. და პროფილაქტ. რემონტი საქართვ. ნავსადგურებში წარმოებს. *გრ. ბუაჩიძე.*

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, დაარსდა 1907 თბილისში, ე. თაყაიშვილის ინიციატივით, ისტორიის მოყვარულთა წრის ბაზაზე. საზ-ბის წესდება ფართოდ განხილვის შემდეგ 1907 წ. 30 ივნ. დამტკიცდა.

საზ-ბის წევრები იყოფოდნენ კატეგორიებად: მზრუნავნი, საპატიონი, ნამდვილნი, კორესპონდენტნი და დამხმარენი. მზრუნავისა და საპატიო წევრის არჩევა ხდებოდა საზ. კრებაზე ხმების უმრავლესობით. ნამდვილი წევრების არჩევა შეიძლებოდა საზ-ბის 2 წევრის წინადადებით. კორესპონდენტებსა და დამხმარეებს ირჩევდა საბჭო. საზ-ბის საქმეებს მართავდა საზ. კრება და საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ საზ-ბის თავ-რე, თავრის ამხანაგი, მუზეუმისა და ბ-კის მცველი, ხაზინადარი, მდივანი და 4 წევრი. საზ-ბას ჰქონდა განყ-ებები: საისტ., საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, სალინგვისტო და სანუმიზმატიკო.

საზ-ბამ დაარსებისთანავე დიდი თანაგრძნობა მოიპოვა საქართვ. მოსახლეობაში. სხვადასხვა სახის შემოსაწირაუები (ფული, წიგნები, ხელნაწერები და სხვ.), ამასთან წესდების შესაბამისად საზ-ბის წევრთა მიერ შემოტანილი თანხა (მაგ., მზრუნავი ყოველწლიურად 600 მან. იხდიდა) აძლიერებდა საზ-ბას და საშუალებას აძლევდა ფართო სასარგებლო საზ. საქმიანობის გაშლისათვის. საზ-ბის წევრები აგროვებდნენ, სწავლობდნენ და ინახავდნენ საქართვ. და მისი მოსაზღვრე ქვეყნების არქეოლ., ანთროპოლ., ლიტ. და ეთნოგრ. მასალებს. საზ-ბამ დააარსა მუზეუმი (სამუზეუმო კომისიის თავ-რე ე. თაყაიშვილი), სადაც თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა ექსპონატებმა. შექმნა წიგნთსაცავი.

საზ-ბამ გამოსცა სამეცნ. შრომების 2 სერია: *„ძველი საქართველო“* და *„საქართველოს სიძველენი“*. 1914 გამოსცა ვეფხისტყაოსანი, 1916 — „შაჰნამეს“ ქართ. თარგმანი (I ტ.).

დიდი ყურადღება ექცეოდა ექსკურსია-ექსპედიციებს მოწყობას, რ-ებსაც ფართო მეცნ. ხასიათი ჰქონდათ (გროვდებოდა ძვ. წიგნები, ხელნაწერები, ტარდებოდა არქეოლ. გმოკვლევები). მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენები. მნიშვნელოვანი იყო ძვ. ქართვ. ხუროთმოძღვართა ნამუშევრების გამოფენა (VI—XIX სს.). საზ-ბა დიდ საგანმან. საქმიანობას ეწეოდა. ფართო აუდიტორიისათვის სხვადასხვა საკითხზე კითხულობდნენ ლექციებს საზ-ბის წევრები: ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. ჯანაშვილი, ა. შანიძე, დ. კარიჭაშვილი, პ. ინგოროყვა.

საზ-ბამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სალექსიკონო და სალინგვისტო საქმიანობას. სათანადო მასალების შეგ-

როებაში, კვლევასა და სისტემაში მოყვანაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იუსტ. აბულაძემ, ს. გორგაძემ, გ. იმნაიშვილმა, პ. კარბელაშვილმა, ი. სონღულაშვილმა და სხვ. ს. ს. და ს. ს. ქართველოლოგიის ცენტრი იყო რევოლუციამდელ საქართველოში. მის წევრებს დიდი ღვაწლი მიუძღვით თბილ. უნ-ტის დაარსებაში.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საზ-ბის საქმიანობა მრავალმხრივი და საინტერესო გახდა. მუზეუმი და წიგნთსაცავი გამდიდრდა ახ. ძვირფასი ისტ. კოლექციებით. ამ კოლექციათა ერთი ნაწილი მოსკოვიდან და ლენინგრადიდან დაუბრუნდა რესპუბლიკას. 1923 სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების რაოდენობამ 10000 მიაღწია. 1922 საზ-ბას სათავეში ჩაუდგა ი. ჯავახიშვილი. მასთან ერთად საზ-ბის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია, ს. კაკაბაძე და სხვ. ს. ს და ს. ს. აკადემიის მიმართულების ერთადერთი დაწესებულება იყო თავისი დროისათვის.

საზ-ბის მუშაობა ახ. ძალითა და მასშტაბით გაიშალა 1959-იდან, როცა შეიქმნა საქართვ. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ფოლკლორის სამეცნ. საზ-ბა (იხ. სტ. *საქართველოს საისტორიო* ა*საზოგადოება*).

ლიტ.: მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982. *რ. მეტრეველი.*

საქართველოს საისტორიო საზოგადოება (1976-მდე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება), ნებაყოფლობითი სამეცნიერო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დაარსდა 1959 საქ. სსრ მეცნ. აკადემიასთან. აგრძელებს *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების* ტრადიციებს.

ს. ს. ს. აერთიანებს საისტ. მეცნიერებით დაინტერესებულ პირებს, ეწევა საისტ. მეცნიერებათა მიღწევებისა და ცოდნის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს უწყებათა სამეცნ. მუშაობის კოორდინაციას, მატერ. კულტურის ისტორიის ძეგლების შეგროვებას, დაცვასა და შესწავლას; ს. ს. ს. იწვევს სამეცნ. სესიებსა და კონფერენციებს, ატარებს შეხვედრებს კულტურისა და წარმოების მოწინავე მუშაკებთან, მონაწილეობს სხვა სამეცნ. დაწესებულებებისა და საზ-ბათა სამეცნ. სესიების მუშაობაში; აწყობს სამეცნ. ექსპედიციებს. ს. ს. ს-ში გაერთიანებული არიან ინდივიდ., საპატიო და კოლექტ. წევრები. უმაღლესი მმართველი ორგანოა საზ-ბის ყრილობა, რ-საც 5 წელიწადში ერთხელ იწვევს საზ-ბის სამეცნ. საბჭო. ეს საბჭო ხელმძღვანელობს საზ-ბის საქმიანობას ყრილობებს შორის. ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს საზ-ბის პრეზიდიუმი.

ს. ს. ს. აგებულია დარგობრივ და ტერიტ. პრინციპზე. მისი სექციებია: ისტ., არქეოლ., ეთნოგრ., ფოლკლორისა და სამართ. ისტორიის. აფხ. ასსრ-სა და აჭარის ასსრ-ში, სამხრ. ოსეთის აო-ში შექმნილია საზ-ბის საოლქო ორგანიზაციები, ხოლო თბილისში—საქალაქო ორგანიზაცია. ცალკეულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, დასახლ. პუნქტებში, სადაც საზ-ბის 5 ან მეტი წევრია, იქმნება პირველადი უჯრედები, რებიც ერთიანდებიან სარაიონო ცენტრებში სარაიონო განყ-ბად, ხოლო ქ-ებში — საქალაქო განყ-ბად.

ს. ს. ს. გამომცემლობით საქმიანობასაც ეწევა. გამოცემულია საზ-ბის წევრთა შრომების კრებულები და ცალკეულ მეცნიერთა მონოგრაფიები. საზ-ბის პირველი თავ-რე იყო აკად. ნ. ბერძენიშვილი (1966-მდე). 1967-იდან თავ-რეა აკად. გ. ჩიტაია.

რ. მეტრეველი.

„საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, დაარსდა *ბატონიშვილის* 1019-მუხლიანი რუსული ნორმატიულ-აღწერილობითი შრომა—„Обозрение Грузии по части прав и законоведения“ (1813); მისივე საკოდიფიკაციო პროექტის ერთგვარი ვარიანტი (იხ. *„სამართალი ბატონისშვილის დავითისა“*). „მიმოხილვას“ რუს. მოწინავე საზ-ბასა და მმართველ წრეებში უნდა წარმოეჩინა საქართველო, როგორც მტკიცე თვითმყოფადი სახელმწ.-სამართ. ტრადიციის ქვეყანა, ხელი შეეწყო ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის (ამ შემთხვევაში იგი მოქმედ სამართლად ივარაუდებოდა).

ლიტ.: ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედ. და გამოკვლევით, თბ., 1959. *დ. ფურცელაძე.*

საქართველოს სამეფო-სამთავროების ტრაქტატი 1790, სამოკავშირო ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროთა შორის. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანების შესახებ 1790 მოლაპარაკებას პირდაპირი შედეგი არ მოჰყოლია. ერთიანობის იდეა მაინც ისე ძლიერი იყო, რომ მალე, 1790 ივნ., დაიდო ს. ს.-ს. ტ. — ორმხრივი ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოსა და, მეორე მხრივ — იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროებს შორის. ტრაქტატის მომზადების ორგანიზატორი იყო სოლომონ ლიონიძე. ტრაქტატის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულების საფუძველია ქართველთა ეროვნ. ერთობა: „ყოველნი იერიელნი“ არიან „სისხლით ნათესავნი, ერთმორწმუნენი და ერთისა ენისა მქონებელნი“; აქედან გამომდინარე, საქართვ. მეფე-მთავრები დებენ ზემო და ქვემო იერიის (ე. ი. აღმ. და დას. საქართველოს) ერთობისა და ურთიერთდახმარების პირობას. ერეკლე II, რ-იც ამ ხელშეკრულებაში გამოდიოდა როგორც მოკავშირეთა შორის რანგით უმაღლესი ხელისუფალი, დას. საქართველოს მცხოვრებთა „საზოგადო მამა“, საჭირო შემთხვევაში ყოველგვარი საშუალებით დახმარებას აღუთქვამდა მოკავშირეებს და პირდებოდა, რომ იზრუნებდა მათ შეყვანაზე რუს. მფარველობაში. თავის მხრივ, დას. საქართვ. მეფე-მთავრები ერეკლე II-ს პირობას აძლევდნენ, რომ ისინი, ნებაყოფლობით უერთდებიან რა რუს. იმპერიასთან ქართლ-კახეთის მიერ დადებულ მფარველობით ხელშეკრულებას (*გეორგიევსკის ტრაქტატს 1783*), საჭირო შემთხვევაში ყოველგვარი საშუალებით დაეხმარებიან ქართლ-კახეთის სამეფოს. ეს ტრაქტატი რუს.-ოსმ. ომის (1787—91) დროს დაიდო. მონაწილეთაგან სათანადოდ დამტკიცებული ტრაქტატის ასლი ერეკლემ მაშინვე იასში მყოფ რუს. საზავო დელეგაციის მეთაურს გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს გაუგზავნა. რუს დიპლომატებს ეს დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად უნდა გამოეყენებინათ, რომ საქართვ. სამეფო-სამთავროები ნებაყოფლობით შევიდნენ რუს. მფარველობის ქვეშ და რუს. მთავრობას უფლება ჰქონდა ემოქმედა მათი სახელით. პოტიომკინის სიკვდილის შემდეგ დელეგაციის ახ. ხელმძღვანელმა ა. ბეზბოროდკომ ტრაქტატის ტექსტი სათანადოდ არ გამოიყენა და იასის საზავო ხელშეკრულებაში საქართვ. საკითხი უყურადღებოდ დარჩა.

ლიტ.: ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1962, ტ. 4; ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, «მაცნე», 1964, № 4. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია, დამოუკიდებელ საწარმოო-შემოქმედებით ორგანიზაციად ჩამოყალიბდა თბილისში 1958 ივლისში (1928—58 ქართ. ქრონიკალურ-დოკუმენტურ და სამეცნ.-პოპულ. ფილმებს იღებდნენ ჯერ „საკინმრეწვთან“, ხოლო შემდეგ — კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებულ კინოქრონიკის სექტორის ბაზაზე). კინოსტუდია ყოველწლიურად უშვებს 80—100 დასახელების ფილმსა და კინოჟურნალს, რ-თაგან 7 სამეცნ.-პოპულარულია (მზადდება საკავშ. ეკრანისათვის რუს. ენაზე); 25 — დოკუმენტური (1 — სრულმეტრაჟიანი, დანარჩენი — მოკლემეტრაჟიანი); 12— კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ და 4 — ყოველკვარტალური თემატური კინოჟურნალი „ადამიანი და კანონი“. გარდა ამ გეგმური კინოფილმებისა, კინოსტუდია იღებს სხვადასხვა უწყების (ძირითადად საკავშ. ტელევიზიისა და სახკინოს) მიერ დაკვეთილ სრულმეტრაჟიან და მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ყოველწლიურად ამზადებს კინომატიანის მასალას 4000 *მ* ოდენობით.

სტუდიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ საბჭ. კინემატოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: მ. კალატოზიშვილი (სტუდიის ერთ-ერთი პირველი დირექტორი), ს. დოლიძე (კინოქრონიკის სექტორის ხელმძღვანელი), გ. ასათიანი და სხვ. სტუდიაში გადაიღეს თავიანთი პირველი ფილმები ო. იოსელიანმა, გ. შენგელაიამ, გ. კანდელაკმა და სხვ. ახალგაზრდა და საშ. თაობების რეჟისორებთან ერთად სტუდიაში დღესაც მოღვაწეობენ ქართ. დოკუმენტალისტიკის პირველი თაობის წარმომადგენლები: ნ. ჟურულაძე, შ. ხომერიკი, შ. ჩაგუნავა. 1979 სსრკ კინემატოგრაფიის სახელმწ. კომიტეტის გადაწყვეტილებით, ს. ს.-ჰ. და დ. ფ. ს-მ III კატეგორიის სტუდიის სტატუსი მიიღო.

ა. თუშმალიშვილი.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა, ჩამოყალიბდა თბილისში 1959. ინ-ტში შედის 20 ძირითადი განყ-ბა და სექტორი, მ. შ. სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის 2 განყ-ბა ქუთაისსა და ცხინვალში. ინ-ტი ინფორმაციას აწვდის რესპ. ხელმძღვანელობას, აგრეთვე საწარმოებსა და ორგანიზაციებს, წარმოადგენს ინფორმაციის რესპ. დარგთაშორის ორგანოს და ასრულებს ჩაის მრეწვ. და ჩაის კულტ. საკითხებში სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის ცენტრ. დარგობრივი ინ-ტის ფუნქციებს. ინ-ტი მეთოდურად ხელმძღვანელობს მუშაობას საქ. სსრ-ში სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის დარგში, რესპ. და საკავშ. დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციათა საპატენტო სამსახურს, ნერგავს სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის რესპ. ავტომატიზებულ სისტემას, ეწევა სამეცნ.-ტექ. პროპაგანდას. რესპ. სამეცნ.-ტექ. ბიბლიოთეკასთან ერთად ინ-ტი ქმნის ერთიან რესპ. საცნობარო-საინფორმაციო ფონდს საქ. სსრ სახ. მეურნ. თავისებურებების გათვალისწინებით. ინ-ტი გამოსცემს მიმოხილვითს ინფორმაციას, სამეცნ.-ტექ. რეფერატულ კრებულებს „ჩაი“, „მანგანუმი“, საინფორმაციო ფურცლებს მოწინავეთა გამოცდილებაზე და სხვ., იკვლევს ტექ.-ეკონ. თვალსაზრისით საქ. სსრ სახ. მეურნეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

„საქართველოს სამრეკლო“, ქართული ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1923 თბილისში (ერთადერთი ნომერი). რედ. — კ. გამსახურდია. დაბეჭდილია კ. გამსახურდიას, ი. ტატიშვილის, კ. აბაშიძის, ა. ჭუმბაძის, ი. მოსაშვილისა და. სხვ. ქართვ. მწერალთა ლექსები და სტატიები.

საქართველოს სამხედრო გზა, ისტორიული სახელწოდება გზისა, რ-იც კავკასიონის მთავარ ქედზე გადადის ჯვრის უღელტეხილით (2395 *მ*) და ქ. თბილისს (საქ. სსრ) ქ. ორჯონიკიძესთან (ჩრდ. ოსეთის ასსრ) აკავშირებს. სიგრძე 206 *კმ*. თბილისიდან გზა მიყვება მდ. მტკვრის

მარჯვ. სანაპიროს, სოფ. მუხათგვერდთან ხიდით მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს გადადის, სოფ. წიწამურის შემდეგ გრძელდება მდ. არაგვის მარჯვ. მხარეს — მუხრანის ვაკეზე და დაბა ჟინვალიდან შედის მდ. მთიულეთის არაგვის ვიწრო ხეობაში. გაივლის დაბა ფასანაურს. სოფ. ზემო მლეთიდან იწყება ზემო მლეთის აღმართი, რ-იც ჯვრის უღელტეხილით მთავრდება. უღელტეხილიდან გზა ეშვება მდ. ბიდარის ვიწრო ხეობაში, გადის სოფ. ალმასიანთან, სადაც თავს იყრის ბიდარის, თრუსოსა და უხათის ხეობები, შემდეგ მიყვება მდ. თერგის მარჯვ. მხარეს, გაივლის სოფლებს— კობს, სიონს, გარბანს და დაბა ყაზბეგს. ყაზბეგიდან გზა ხიდით გადაინაცვლებს მდ. თერგის მარცხ. მხარეს. მდ. ჩხერის შესართავთან იწყება *დარიალის ხეობა*. აქედან გზა გველეთის ხიდით კვლავ მდ. თერგის მარჯვ. მხარეზე გადადის, გაივლის სოფლებს ზემო ლარსსა და ჩიმს, შედის შედარებით ფართო ბალთის ხეობაში, რ-იც კლდოვან ქედს კვეთს. აქედან გზა ჯერ საძოვრებიან, შემდეგ ტყიან ქედს კვეთს და მთავრდება ქ. ორჯონიკიძესთან.

ს. ს. გ-ის მიდამოებში მდ. არაგვის ქვემოთი დაბალი, და საშუალმთიანია. სოფ. ზემო მლეთიდან იწყება მაღალმთიანი რელიეფი, რ-შიც გამოხატულია მთა-ტყის, სუბალპ., ალპ., სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტური ზონები. სოფ. ზემო ლარსიდან ისევ საშუალმთიანი რელიეფია ფართოფოთლოვანი ტყითა და მდელოებით. მდ. ბიდარის ხეობაში არის ნარზანის ცნობილი მინერ. წყაროები. მინერ. წყლებით მდიდარია ასევე თრუსოს, უბათისა და სხვა ხეობები.

ისტორიული ცნობა. ძვ. წ. VI ს-ში დარიალისა და არაგვის ხეობებზე გავლით ხდებოდა სკვითური ტომების მიგრაცია ამიერკავკასიაში. სტრაბონის (ძვ. წ. I ს.—ახ. წ. I ს.) მიხედვით, აქ გადიოდა ძალზე ვიწრო და ძნელი გზა, რ-იც მიუდგომელი კედლით თავდებოდა. გზისა და დარიალის კარის კონტროლით ძველთაგანვე დაინტერესებულნი იყვნენ წინა აზიის დიდი სახელმწიფოები. XII ს. I ნახევარში ამ გზით გადმოასახლა დავით IV აღმაშენებელმა ყივჩაყთა 45 ათასი ოჯახი საქართველოში. თემურლენგის ლაშქრობების (XIV —XV სს. მიჯნა) შემდეგ გზის მნიშვნელობა დაეცა და იგი ნაგზაურად იქცა. შედარებითი აქტ. მიმოსვლა იწყება XVIII ს. II ნახევრიდან; ამავე პერიოდიდან გზისადმი ინტერესს იჩენს რუს. იმპერიის სამხ. უწყება. რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის ურთიერთობა ძირითადად ამ გზით ხორციელდებოდა. რეგულარული მიმოსვლა ვლადიკავკაზსა (ახლანდ. ორჯონიკიძე) და თბილისს შორის 1799 დაიწყო, ზამთრის თვეებში ხშირი ზვავები მნიშვნელოვნად აფერხებდა აქ მოძრაობას. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ გზამ უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა მოიპოვა; ამავე პერიოდში მიიღო სახელწ. „ს. ს. გ." 1803 იწყება ახ., გაფართოებული გზის მშენებლობა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მთის მოსახლეობას; იგი მთიულეთის აჯანყების (1804) დაწყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. სხვადასხვა დროს იცვლებოდა გზის მიმართულება. ბოლო პროექტით (ავტორი სტატკოვსკი) 1855 დაიწყო ზემო მლეთის აღმართის ტრასის მშენებლობა, რ-იც 1861 დამთავრდა. 1863 გზის „მთელ სიგრძეზე დაიწყო მოძრაობა. 1909-დან კი რეგულარული მიმოსვლა დამყარდა თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის.

ახლა ს. ს. გ. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალია. საბჭ. ხელისუფლების წლებში ჩატარდა მისი რეკონსტრუქცია (აიგო რკინაბეტონის ხიდები და სხვა რთული ტექ. ნაგებობანი) ყოველწლიურად დიდი სახსრები იხარჯება გზის შეკეთებაზე. კასპიისპირა და შავიზღვისპირა სარკინიგზო მაგისტრალების გაყვანის შემდეგ გზის მნიშვნელობა ერთგვარად შემცირდა, თუმცა დიდი იყო მისი სტრატეგიული მნიშვნელობა I მსოფლიო ომისა (1914—18) და დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში. ზამთრის თვეებში უღელტეხილზე გზა უმეტესად ჩაკეტილია. მთელი ტრასის გასწვრივ და მახლობლად განლაგებულია ქართ. არქიტექტურის მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი: *ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, ბებრისციხე*, ჟინვალის ნაქალაქარი, *ანანური, ლომისა*, ცეცხლის ჯვარი, *სიონი, გარბანი*, გერგეტის სამება, სიონის ციხე, დარიალის ციხე; ვ. ი. ლენინის სახ. ზემო ავჭალის პიდროელექტროსადგური (1927).

1983 გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით ს. ს. გ-ზე აღმართა რამდენიმე მემორიალური ნაგებობა და გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლები: სკულპტურული კომპოზიცია „თერგდალეულნი" (მოქანდაკეები კ. ტაბატაძე, ჯ. თუშურაშვილი, არქიტ. გ. აბულაძე, დ. ახვლედიანი); სულხან-საბა ორბელიანის მემორიალი (მოქანდაკეები გ. ზაქარაია, გ. ყენტი, არქიტ. ჯ. ურუშაძე, თ. გაბუნია); მ. გორკის (მოქანდაკე ზ. კრაწაშვილი, არქიტ. მ. ზაალიშვილი); ი. ჭავჭავაძის (მოქანდაკე ლ. მზეიძე, არქიტ. თ. ბოჭორიშვილი) და სხვ.

გზის ბუნების სილამაზეს უმღერა მრავალმა ქართველმა, რუსმა თუ უცხოელმა პოეტმა და მწერალმა (ი. ჭავჭავაძე, ა. ყაზბეგი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ე. მ. იაკოვსკი და სხვ.). განვითარებულია ტურიზმი. აქ გადის საკავშ. ტურისტული მარშრუტი № 41.

ლიტ.: გვასალია ქ., საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1972, №2; ძველრელი-კოპაძე ნ., საქართველოს საგზაო მშენებლობა, თბ., 1976; Арджеванидзе И. А., Военно-Грузинская дорога, Тб., 1954; Богомолов И. С., Хуцишвили Г. И., Эта удивительная Военно-Грузинская дорога, Тб., 1983; ДолидзеВ. О., Шмерлинг Р. О., Военно-Грузинская дорога. Путеводитель по архитектурным памятникам, Тб., 1956; Кверенчхиладзе Р. И., Географические проблемы транспорта Грузии, Тб., 1976; Мгалоблишвили М., Шилакадзе Т., Махарашвили Т., По дороге «Дружбы», Тб., 1983; Пять маршрутов путешествия по Грузинской ССР, Тб., 1968.

რ. კვერენჩხილაძე. ჯ. გვასალია.

საქართველოს სამხედრო გზა. მლეთის აღმართი.



საქართველოს სამხრეთ მთიანეთი, მთიანი ოლქი საქართველოს სამხრ. ნაწილში. მოიცავს ვულკანურ ზეგანსა და მის ჩრდ. პერიფერიის გასწვრივ მდებარე მცირე კავკასიონის დას. ნაწილს — მესხეთისა და თრიალეთის ქედებს, რ-ებიც აგებულია პალეოგენის ძლიერ დანაოჭებული ვულკანოგენური დანალექი ქანებით. უმაღლესი მწვერვალებია მეფისწყარო (2850 *მ*) და შავიკლდე (2850 *მ*). ქედებისათვის დამახასიათებელია ძირითადად სტრუქტურული, ეროზიული და დენუდაციური ფორმები (სხვადასხვა სიმაღლის მოსწორებული ზედაპირები).

მცირე კავკასიონის სამხრ-ით ვრცელდება ვულკანური ზეგანი, რ-ის გაგრძელებას სომხეთისა და თურქეთის ტერიტორიაზეა. ზეგნის მთავარი ოროგრ. ნაწილებია ჯავახეთისა (მწვ. ემლიქელი 3053 *მ*) და აბულ-სამსარის ქედები (მწვ. დიდი აბული, 3304 *მ*); ახალქალაქის, წალკის, გომარეთის, დმანისისა და სხვ. პლატოები (დაახლ. 1200—2000 *მ*). ისინი დანაწევრებულია მტკვრისა და ქცია-ხრამის სისტემის მდინარეთა ვიწრო ხეობებით. ზეგანი აგებულია ნეოგენურ-მეოთხეული ვულკ. (ეფუზიური) ლავებითა (ბაზალტები, ანდეზიტები, დაციტები, დოლერიტები და სხვ.) და ტბიურ-მდინარეული ნალექებით. ახალ სიათებს დანაოჭება და წყვეტები. ყველაზე ძველია (ზედამიოცენური) ე. წ. გოდერძის წყება, რ-შიც ჩართულია განმარხებული მცენარეები. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპ. (მესხეთის ქედი) და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია (თრიალეთის ქედი). ვულკანურ ზეგანზე ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულიდან წინა აზიის მთიანეთის მშრალ სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავაა. მესხეთის ქედის მდინარეთა ნაწილი (სუფსა, ნატანები, ჩაქვისწყალი, ერთვის უშუალოდ შავ ზღვას, ნაწილი (ხანისწყალი) მდ. რიონსა და ჭოროხს (აჭარისწყალი). თრიალეთის ქედისა და ვულკ. ზეგნის მდინარეები (ფარავანი, ძამა, ტანა, თეძამი, ალგეთი, ქცია-ხრამი და სხვ.) მტკვრის შენაკადებია.

მესხეთისა და თრიალეთის ქედებზე წითელმიწა, ტყის ყომრალი, მთის მდელოს ნიადაგებია; ზეგანზე — მთის შავმიწა, კორდიანი მთის მდელოს ნიადაგები. მესხეთისა და თრიალეთის ქედებზე გავრცელებულია კოლხური ტყე, შერეული ფოთლოვანი ტყე, ნაძვ-სოჭნარი, ფიჭვნარი, სუბალპ. და ალპ. მდელოები. ზეგანზე მთის სტეპები, სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

გ. დევდარიანი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროსი დაარსდა 1930 თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი (შეიქმნა 1921) ბაზაზე. მდებარეობს თბილისში (დიღომი). აქვს ფაკ-ტებ (1983): აგრონ., სოფ. მეურნ., მექანი ზაციის, ელექტრიფიკაციის, მეხილეობის მებოსტნეობის, მევენახეობისა და ტექნოლ პიდრომელიორაციის, სატყეო-სამეურნეო და მიწათმოწყობის, ეკონ., მეაბრეშუმე ობის სასწ.-კვლევითი, სოფ. მეურნ. სა ციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების დაუსწრებელი სწავლების; მოსამზადებე ლი განყ-ბა. დარგობრივი ფაკ-ტების გარ და შექმნილია საზ. მეცნ. და საზ. პროფ სიათა ფაკ-ტები. ინ-ტში არის 14 სპეცი ლობა, 18 სპეციალიზაცია, რ-ებსაც ემს ბურება 52 კათედრა, სასწ. კაბინეტებ და სამეცნ.-კვლ. პრობლემური და დარ გობრივი ლაბორატორიები. ინ-ტს აქ ასპირანტურა, 4 სპეციალიზებული საბჭ სადოქტორო და საკანდიდატო სამეცნ. ბ რისხის მისანიჭებლად. ინ-ტს აქვს დიღმ სა და მუხრანის სასწ.-საცდელი მეურნეო ბები, ღვინისა და საკონსერვო სასწ. ქ-ნ ბი, ამპელოგრაფიული ლაბორატორი რ-ის საველე კოლექცია შედგება 3 ათ-ზ მეტი ვაზის ჯიშისაგან. სასწ.-საწარმო სახელოსნო, სტამბა. არსებობის მანძილზ ინ-ტმა მოამზადა 40 ათ-ზე მეტი სოფ მეურნ. სპეციალისტი. აქვს ბ-კა (800 ა ზე მეტი ბიბლიოგრაფიული ერთეული სცემს „სამეცნიერო შრომებს". 1946 დ ჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ო დენით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, რესპუბლიკის მა ქანათაშენი მრეწველობის ერთ-ერთ მსხვილი საწარმო ქ. თბილისის გარეუბან ში. შეიქმნა „საქნათობის" სისტემ თბილ. ყოფილი მექან. ქ-ნის „ნეფტებურმ შის" ბაზაზე (1959). პირველი პროდუ ციის ჩაის პლანტაციებისათვის განკუ

ნილი სამთვლიანი თვითმავალი შასების სშ-ზგ) წარმოება აითვისა 1959. ამჟამად ამზადებს მთისა და ბარის მიწათმოქმედების, მეცენახეობის, მეჩაიეობის, მებოსტნეობის, მებაღეობისა და სხვა დარგებისათვის საჭირო სხვადასხვა მოდელის სნქანებს, აპარატებს, ტრანსპორტიორებს, ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“, ხელის ჩაის საკრეფ, დასაწვიმებელ პარატებს (უდვ-08), საირიგაციო მოწყობილობებს. 1958—79 ქ-ნამ აითვისა სას.-ამ. ტექ. სამოცი სახეობა.

ს. ს.-ს. მ. ძ-ის სხვადასხვა პროდუქცია ქსპონირებული იყო საერთაშ. გამოფენებზე — ქ. იზმირში (თურქეთი, 1968; 1969), ქ. ჰანოიში (ვიეტნამი, 1977), ქ. ლაიფციგში (გდრ, 1977), ქ. თეირანში (ირანი, 978), ქ. პოზნანში (პოლონეთი, 1978). 975-იდან ქ-ნის პროდუქციის ნაწილი იგზავნება საზღვარგარეთ: მონღ. სახ. რესუბლიკაში, ბულგ. სრ-ში, კუბაში, ვიეტ. რ-ში, ანგოლაში, ეთიოპიასა და ირანში.

„საქართველოს სასულიერო მახარობელი“, პირველი ქართული სპეციალური აღვთისმეტყველო და საეკლესიო ყოველივიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 864—68. რედ.-გამომცემელი—გ. ხელიძე. ურნალში დაბეჭდილია როგორც საეკლ. სასაღა, ისე ორიგინ. და თარგმნილი ლიტ-ხა, აგრეთვე ისტ. ნაწარმოებები. ყოელ ნომერს დართული აქვს დამატება უს. ენაზე საკუთარი პაგინაციით.

„საქართველოს სახალხო მეურნეობა“, იხ. ჟურნ. *„საქართველოს ეკონომიკა“*.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ს. ჯანაშიას სახელობისა, საქართველოს ისტორიისა და ბუნების ცენტრალური მუზეუმი, რ-იც დაარსდა 1919 თბილისში *კავკასიის მუზეუმის* ბაზაზე საქართველოს მუზეუმის სახელწოდებით. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921) დაექვემდებარა საქ. სრ განათლების სახ. კომისარიატს. 1941 საქ. სსრ მეცნ. აკად. დაარსებისთანავე ეცვიდა მის სისტემაში. 1947 ეწოდა აკად. ს. ჯანაშიას სახელი. ს. ს. მ-ის შენობა გებულია რუსთაველის პროსპექტზე 1913—19, არქიტ. გ. ნებარინცევი. ფასადის არიტექტურა ეკუთვნის არქიტ. ნ. სევეროვს და იმ დროის ქართული არქიტექტურის აუცთესო ნიმუშია. საბჭ. ხელისუფლების წლებში მუზეუმი მსხვილ სამეცნ.-ვლ. და საგანმან. დაწესებულებად იქცა; გი მოიცავს ჰუმანიტარულ (არქეოლოგია, სტორია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა) და აბუნებისმეტყველო (გეოლოგია, ბოტანია, ზოოლოგია) დარგებს. ს. ს. მ-ში თავყრილია არა მარტო საქართვ., არამედ ავკ. და მახლობელი აღმოსავლეთის ბუებისა და მოსახლეობის მატერ. კულტ. სტ. ამსახველი დიდძალი, პირველხარისოვანი მასალა. ს. ს. მ-ში ფონდებში 1984 წ. 31 დეკემბრისათვის 1.006520 ექსპოატი ირიცხებოდა. მის ფონდებში შედის ემდიდრესი არქეოლ. კოლექციები უძველესი დროიდან ანტ. ხანის დასასრულამდე (ახ. წ. IV ს.), შუა საუკ. (V—XVIII სს.) საქალაქო ცხოვრებისა და მატერ. კულტურის, ბურჟ. ხანის (1801—1921) მრეწვ., სოფ. მეურნ. და რეკ. მოძრაობის, საბჭ. ერიოდის სახ. მეურნ., კულტ. განვითაებებისა და გრანდიოზული მიღწევების ამსახველი მასალები, უძველესი ტრადიციბისა და XIX ს. დამახასიათებელი ეთოგრ. კოლექციები, მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა, გეოლ., ბოტან. და ზოოლ. ვრცელი ფონდები, მ. შ. უნიკალური ძეგლები: ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული უძველესი ნივთები კახეთის ყორღანული სამარხებიდან (ძვ. წ. III ათასწლ.), ძვ. წ. II ათასწლ. სახელგანთქმული ოქროსა და ვერცხლის თასები და სხვა ინვენტარი თრიალეთის ყორღანებიდან, ვანის, ახალგორის, ალგეთის სამარხეულ კომპლექსებში შემავალი საიუველირო ხელოვნ. შედევრები (ძვ. წ. VI—IV სს.), მცხეთაში, არმაზციხეში, არმაზისხევში, ზღუდერში, კლდეეთში და სხვ. გათხრილი ქართ. ოქრომჭედლობის შემდგომი განვითარების დამადასტურებელი ოქროს სამკაულები (I—IV სს.), მდიდარი გლიპტიკური მასალა და სხვ., ურარტული ეპიგრაფიკის იშვიათი კოლექცია (ძვ. წ. VIII—VII სს.), ვესპასიანეს წარწერა (ახ. წ. I ს.), არმაზის ბილინგუა (ახ. წ. II ს.), უძველესი ქართ. წარწერა ბოლნისის სიონიდან (ახ. წ. V ს.), შუხუთის ძოზაიკა (ახ. წ. IV—V სს.), ხის კარების კოლექცია, მათგან იშვიათი ნახელავი კარი ჩუკულის ეკლესიიდან (XI ს.), დმანისის ვერცხლის სამკაულის განძი (XII ს.), ლითონის ჭურჭლის კოლექცია, მ. შ. სპილენძის თეფშები ვახტანგ VI-ის, მეფე ბაქარის, თეკლა ბატონიშვილის წარწერებით (XVIII ს.) და თეფში წარწერით „ქ. საკაძის გიორგისა და შოშისა ვარ“ (XVII ს.), ერეკლე II-ის წარწერიანი ჯამი, 2 თოფი და ხმალი, ბაქარისა და სოლომონ II-ის თოფები (XVIII ს.) და სხვ.; ეთნოგრ. მასალებიდან — სახვნელი იარაღები, მათგან „ქართული დიდი გუთანი“, კერამ. ჭურჭელი წარმოების ყველა ცენტრიდან, ქართვ. ოსტატთა ნახელავი ვერცხლის ნივთები და იარაღი, ქართვ. და სხვა კავკ. ხალხების ტანსაცმლის უიშვიათესი კოლექცია, აღმოსავლური საბრძოლო იარაღი და სხვ.; ქართ. მონეტების უმდიდრესი კოლექცია, მ. შ. უიშვიათესი — კოლხეთის მეფის აკეს ოქროს სტატერი (ძვ. წ. III ს.), ლაშა გიორგის სპილენძის მონეტა (XIII ს.); განძები ვერცხლის რომაული მონეტებისა სოფ. ეკიდან (907 ც.), თამარ მეფის სპილენძის მონეტებისა სოფ. ვეჯინიდან (2759 ც.) და სხვ., გეოლ. ფონდიდან, პირველი მონაპოვარი სსრკ-ში — უმაღლესი ადამიანის მსგავსი მაიმუნის ნაშთი, მესამეული ხანის სპილოს ჩონჩხი სოფ. ტარიბანიდან, მონოგრაფიულად შესწავლილი უხერხემლო ფაუნის ორიგინალები, ტიპური ფორმები და სხვ., კავკ., სსრკ სხვა რეგიონებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფლორის ჰერბარიუმი, მ. შ. კავკ. ფლორის XIX ს. მკვლევართა კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი, მრავალი სახეობის პირველადი აღწერის ნიმუში — ნომენკლატურული ტიპები და სხვ. კოლექციები ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფიდან, მ. შ. ენდემები, რელიქტები, იშვიათი ან დღეს უკვე ამომწყდარი ცხოველების სახეობები, ს. ს. მ-ის ძირითადი საკვლევი-სამეცნ. პრობლემაა საქართვ. ბუნების, ქართვ. ხალხის ნივთიერი კულტ. და ყოფის შესწავლა; ამ მიმართულებით მუზეუმის ფონდების საფუძველზე მიმდინარეობს დიდი სამეცნ.-კვლ. მუშაობა. მუზეუმი ყოველწლიურად უშვებს „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბეს“ ორ (საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ) სერიად, აქვეყნებს მონოგრაფიებს, კრებულებს, ფონდების კატალოგებს და აწყობს სამეცნ. ექსპედიციებს. ს. ს. მ. სამეცნ. ცოდნის პროპაგანდის მნიშვნელოვანი კერაა. 16 დარბაზში გამართული ერთიანი ისტ.-არქეოლ. ექსპოზიცია ასახავს საქართვ. ნივთიერი კულტ. ისტორიას უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე, ეთნოგრ. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ქართვ. ხალხის კულტ. და ყოფის უძველესი ტრადიციების ამსახველი მასალები, გეოლ. გამოფენაზე — საქართვ. სასარგებლო ნამარხები.

ს. ს. მ-ის ფილიალები: *ბალხთა მეგობრობის მუზეუმი* თბილისში, *სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი* დაბა მესტიაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. *სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი* ქ. ახალციხეში. მუზეუმში მუშაობს ლექტორიუმი. ს. ს. მ. მუზეუმების საერთაშ. საბჭოს კოლექტიური წევრია.


ლიტ.: Непринцев М. Н., Воспоминания автора проекта и строителя Кавказского Музея в г. Тбилиси, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1974, ტ. 30 B; ბოლქვაძე ს., ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები, იქვე; საქართველოს მუზეუმის მოკლე ანგარიში (1919—1921), იქვე, 1922, ტ. 1; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლის თავზე, იქვე, 1957, ტ. 19 A, 21 B; ქანთარია ნ., ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, «ძეგლის მეგობარი», 1975, № 37; ჩაჩანაშვილი გ., საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა. მეგზური, თბ., 1958; ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენა (მეგზური), თბ., 1967.

ს. ბოლქვაძე.

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეა, დაარსდა თბილისში 1920. თავდაპირველად საქართვ. ეროვნ. სამხატვრო გალერეა ერქვა. მოთავსდა ე. წ. დიდების ტაძარში (აშენდა XIX ს. დასასრულს, რუსეთ-ოსმალეთის ომში რუს. არმიის გამარჯვების აღსანიშნავად). გალერეის შექმნის ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო მხატვარი დ. *შევარდნაძე*. დღეისათვის გალერეა ექვემდებარება საქართვ. კულტ. სამინისტროს და წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახვითი და დეკორ. — გამოყენებითი ხელოვნ. მუზეუმს, სადაც დაცულია 15000-მდე ექსპონატი (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, სცენოგრაფია, დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნება). მ. შ. ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, თ. აბაკელიას, ე. ახვლედიანის, ს. ქობულაძის, ქ. მაღალაშვილის, უ. ჯაფარიძის, ნ. კანდელაკის, ვ. თოფურიძის, ს. კაკაბაძის, შ. მიქატაძის და სხვ. ნამუშევრები. გალერეას არა აქვს მუდმივი ექსპოზიცია. აქ სისტემატურად იმართება გამოფენები — რესპ., ჯგუფური, პერსონალური ქართველ, სსრკ ხალხთა და საზღვარგარეთის ქვეყნების მხატვრებისა. გარდა საკუთარი დარბაზებისა, გალერეა გამოფენებს მართავს თბილ. სხვადასხვა დარბაზში, მოძმე რესპუბლიკებში, სსრკ სხვადასხვა ქალაქში, საზღვარგარეთ. ფილიალები: საგამოფენო დარბაზი კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, სურათების გალერეა დაბა თერჯოლაში.


ი. მჭედლიშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, საქ. სსრ საკონცერტო ორგანი-



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობა. არქიტექტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი. 1967. თბილისი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. არქეოლოგიური გამოფენის დარბაზი.



ზაცია, რ-იც აყალიბებს და ხელმძღვანელობს კამერულ-სიმფონიურ და საესტრადო ანსამბლებს, კოლექტივებს, ჯგუფებს, აწყობს მათ კონცერტებს სსრკ ფარგლებში და საზღვარგარეთ, იწვევს საგასტროლოდ საკონცერტო ჯგუფებს როგორც სსრკ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

ს. ს. შ-ს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1905, როდესაც თბილისში ოფიციალურად ჩამოყალიბდა საქართვ. ფილარმონიული საზ-ბა. მის შექმნას სათავეში ედგა მოწინავე ქართვ. მუსიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი (ზ. ფალიაშვილი, ი. კარგარეთელი, ა. ყარაშვილი, ფ. ქორიძე, ი. სულხანიშვილი, ზ. ჩხიკვაძე, ვ. კარბელაშვილი, პ. მირიანაშვილი და სხვ.). საზ-ბის პირველი თავ-რე იყო ი. სულხანიშვილი.

ფილარმონიული საზ-ბა აგროვებდა და გამოსცემდა ქართ. ხალხ .სიმღერებს, საეკლ. საგალობლებს, აყალიბებდა ხალხ. მომღერალთა გუნდებს, მომღერალ ქალთა ანსამბლებს, სამუსიკო სკოლებს. მისი ინიციატივითა და დახმარებით 1913 წ. 27 აპრ. ქართ. სათავადაზნაურო საზ-ბის შენობაში შესრულდა პირველი ქართ. ოპერა — ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ახლადშექმნილი ნაწყვეტები.

წლების განმავლობაში ფილარმონიას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მუსიკოსები და მუსიკის მოღვაწეები: ზ. ფალიაშვილი, გ. კოკელაძე, ა. ყიფიანი და სხვ. ამჟამად ფილარმონიის გენ. დირექტორია ნ. კიტია, სამხატვრო ხელმძღვ. ს. ნასიძე. ფილარმონიაში არსებობს 4 სამმართველო — კამერულ-სიმფ., საესტრადო, სალიტ.-სარეკლამო და საგასტროლო-საკონცერტო. ს. ს. შ-ში შედის სახელმწ. კოლექტივები — ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლი (ხელმძღვ. საქ. სსრ სახ. არტისტი გ. ბაქრაძე), საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. დამს. ანსამბლი (ხელმძღვანელები სსრკ სახ. არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი), საქართვ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრი (ხელმძღვანელი საქართვ. სსრ სახ. არტისტი ჯ. კახიძე), კამერული ორკესტრი (ხელმძღ. ლ. ისაკაძე), ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი „რუსთავი“ (ხელმძღვ. საქ. სსრ სახ. არტისტი ა. ერქომაიშვილი), საქართვ. სახელმწ. კაპელა (ხელმძღვ. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე გ. მუნჯიშვილი), სახელმწ. კვარტეტი, სახელმწ. საესტრადო ორკესტრი „რერო“, ქართ. ფოლკლორის ანსამბლი, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლები: „ორერა“, „75“, „იველია“, „დიელო“, „აისი“ და სხვ. *ჯ. გოგოლაშვილი.*

„საქართველოს სიძველენი“, დოკუმენტთა კრებული, რ-იც გამოსცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. გამოვიდა 3 ტომი (1 ტ. გამოვიდა 1899, შესულია 1362—1848 წწ. 431 დოკუმენტი; II ტ. — 1909, გამოქვეყნებულია XI—XIX სს. 509 დოკუმენტი; III ტ. — 1910, შეიცავს 1408—1836 წწ. 587 დოკუმენტს). 1911 დაიბეჭდა IV ტომის პირველი თაბახი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ბეჭდვა შეწყდა, 1926 საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის საბჭოს დადგენილებით ეს თაბახი გამოქვეყნდა ს. ჯანაშიას რედაქციით, როგორც „ს. ს-ის“ III ტომის დამატება (6 საბუთი, 1170—1477 წწ.).

„ს. ს-თა“ I ტომის თითქმის მთელი ტირაჟი გამოსვლისთანავე დაიწვა (გადარჩა რამდენიმე ცალი) და ე. თაყაიშვილმა მოახერხა ამ ტომის მხოლოდ პირველი 201 დოკუმენტის ხელახლად დაბეჭდვა. „ს. ს-ის“ სამივე ტომში შესულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის წიგნთსაცავებში დაცული მასალა და აგრეთვე დოკუმენტები კერძო კოლექციებიდან, რ-ებიც ამ გამოცემებისათვის გადმოსცეს კერძო პირებმა ე. თაყაიშვილს. გამოცემა მოამზადეს მ. ჯანაშვილმა, ა. სარაჯიშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ა. ქუთათელაძემ.

სამივე ტომი შეიცავს ყველა სახის დოკუმენტს — სამეფო სიგელებს, ნასყიდობის, გაცვლის, წყალობის, შეწირულების, გაყრის და სხვ. წიგნებს, სასისხლო სიგელებს, სასამართლო დადგენილებებს, არზებს, ოქმებს, თამასუქებს, ვალის ხელწერილებს, ხარჯის ნუსხებს, მიმოწერას და სხვ. გამოცემაში დასტამბულია ორბელიანების, ბარათაშვილების, ერისთავების, ჯავახიშვილების, წინამძღვრიშვილების, ფიცხელაურების, ყორღანაშვილების, ბებუთაშვილების და სხვ. საგვარეულოთა საბუთები და მიწერ-მოწერა. იგი ძვირფასი წყაროა საქართვ. პოლიტ., სოც., ეკონ., ისტ., კულტ. ვითარების, სამართლის წარმოების, ყოფა-ცხოვრების, გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობის ისტ. და სხვა საკითხების შესასწავლად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტმა 1970 გამოსცა „ს. ს-ის“ სამივე ტომის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები (შემდგენელი ლ. დავლიანიძე).

ლიტ.: მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982. ზ. ჭუმბინაშვილი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“, ქართული ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, საქ. სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ორგანო; დაარსდა 1921 თბილისში. ჟურნალი გამოდიოდა სახელწოდებებით: „მიწის მუშა“, „ახალი სოფელი“, „სოფლის მეურნეობა“ და სხვ. 1967 იანვრიდან დღემდე გამოდის „ს. ს. მ-ის“ სახელწოდებით. ჟურნალი ძირითადად აშუქებს სოფ. მეურნ. პრობლემურ საკითხებს. მისი ავტორები არიან სოფ. მეურნ. დარგში მომუშავე მეცნ. მუშაკები, სოფ. მეურნ. ნოვატორები და ორგანიზატორები, აგრეთვე სოფ. მეურნ. მომიჯნავე დარგების სპეციალისტები. სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ ბ. იაკობაშვილი, გ. ბადრიშვილი, ე. მახათაძე და სხვ. 1966-იდან ჟურნალის რედაქტორია გ. ჩაგელიშვილი. ტირაჟი—19 ათასი. *გ. ჩაგელიშვილი.*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კ. ა მ ი რ ა ჯ ი ბ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, დაარსდა 1956 სოფ. მეურნეობის ელექტრიფიკაციის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილ. ფილიალის ბაზაზე. სამეცნ.-კვლ. სამუშაოთა ძირითადი მიმართულებებია: მიწათმოქმედების მექან. თეორ. საფუძვლების შესწავლა-გამოკვლევა, სას.-სამ. კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და პირველადი დამუშავების პროგრ. ტექნოლ. დამუშავება ცალკეული კულტურების (ჩაის, ვენახის, ციტრუსების, ხეხილისა და სხვ.) მიხედვით; ახ. სრულყოფილი მანქანების, დანადგარების, სამუშაო ორგანოების შექმნა, გამოცდა და დანერგვა სოფ. მეურნეობაში; სოფ. მეურნ. ყველა დარგის კომპლ. მექანიზაციის განხორციელება; ელექტრობის სპეცსახეობის (მაღალი სიხშირის დენის, ულტრა-ბგერების და სხვ.) ტექ. საშუალებათა შექმნა-დანერგვა სოფ. მეურნეობაში და სხვ. ინ-ტში 32 ლაბორატორია და განყოფილებაა. ინ-ტს აქვს ასპირანტურა. ინ-ტის განკარგულებაშია თელეთის ექსპერ. ელექტრომექანიზებული და ავტომატიზებული მეურნეობა მეცხოველეობის სანაშენე მოზარდეულის გამოსაზრდელი კომპლექსითურთ, საკონსტრუქტორო და ტექ. ექსპერ. ბაზა მანქანების საცდელი ნიმუშების დასაპროექტებლად და დასამზადებლად. *ზ. ხანთაძე.*

საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი, დაარსდა თბილისში 1927 დ. არსენიშვილის ინიციატივით. თავდაპირველად საქ. სსრ სათეატრო მუზეუმი ერქვა. იგი ჯერ საქ. სსრ განათლების სხ. კომისარიატის გამგებლობაში შედიოდა, შემდეგ კი საქ. სსრ კულტ. სამინისტროს გადაეცა. ამჟამად მუზეუმის ფონდებში დაცულია 150000-ზე მეტი ქართ. სანახობითი ხელოვნ. ამსახველი დოკუმენტი. მუზეუმი სისტემატურად აწყობს გამოფენებს. პირველი გამოფენა მოეწყო 1928. აქვს ფილიალები: სსრკ სახ. არტისტების ა. ხორავას, ა. ვასაძის, მ. ჭიაურელის, საქ. სსრ სახ. არტისტების უ. ჩხეიძის, თ. ჭავჭავაძის და ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმები. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წ. 13 დეკ. დადგენილების თანახმად, სათეატრო მუზეუმს ეწოდა საქ. სსრ თ., მ. და კ. ს. მ. მუზეუმში ტარდება სამეცნ.-კვლ. მუშაობა. *ი. ჯანელიძე.*

საქართველოს სსრ კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, სამართლებრივი აქტი, რ-იც მიიღო საქ. სსრ უმაღლესმა საბჭომ 1981 წ. 25 ნოემბერს. მასში სრულადაა ასახული მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილი კონსტ. ნორმები და სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის 1958 საფუძვლები სსრკ სასამართლო წყობილების შესახებ სსრკ-ში (1980 რედაქციით). კანონი შედგება 4 კარისა და 79 მუხლისაგან. პირველ კარში გადმოცემულია ზოგადი დებულებები მართლმსაჯულების მხოლოდ სასამართლოს მიერ განხორციელების, სასამართლოს ამოცანების, კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის, კანონის ზუსტი შესაბამისობით მართლმსაჯულების განხორციელების, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების შესახებ და სხვ. II—IV კარებში გათვალისწინებულია ნორმები საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხ. ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილ. საქალაქო სასამართლოს, სამხრ. ოსეთის აო საოლქო სასამართლოს, რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოების არჩევის წესის, შემადგენლობის, უფლებამოსილების შესახებ და სხვ.

„საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების კრებული“, ოფიციალური გამოცემა; გამოდის 1938-იდან. თავდაპირველად გამოსცემდა საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს (1946-იდან — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს) საქმეთა მმართველობა, 1964-იდან — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდ. კომისია, 1970-იდან სცემს საქ. სსრ იუსტიციის სამინისტრო. კრებულში ქვეყნდება საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგადი მნიშვნელობის ან ნორმატიული ხასიათის დადგენილებანი, აგრეთვე საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს, საქ. პროფკავშირების რესპ. საბჭოსა და საქ. ალკკ ცკ-ის ერთობლივი დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შეიქმნა თბილისში 1933. აერთიანებს მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს. წარმოადგენს სსრკ მხატვართა კავშირის რესპ. ორგანიზაციას (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შემოქმედებითი კავშირები).

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება, საქართველოს სსრ მასწავლებელთა, პედაგოგიკისა და სახალხო განათლების დარგის მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რ-იც ხელს უწყობს კომუნისტური აღზრდის აქტუალური პრობლემების დამუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებას. შეიქმნა 1961 თბილისში. საზ-ბას აქვს პრეზიდიუმი და ცენტრ. საბჭო (ორივე არჩევითია). სულ ჩატარდა საზ-ბის 9 ყრილობა (IX — 1985). საზ-ბას აქვს

განყ-ბები აფხ. და აჭარის ასსრ-ებსა და საშხრ. ოსეთის აო-ში, აგრეთვე საზ. საწყისებზე არსებული რაიონული და საქალაქო საბჭოები (მათში შემავალი პირველადი ორგანიზაციებით) საქ. სსრ ყველა რ-ნსა და ქალაქში. საზ-ბა გამოსცემს სამეცნ.-მეთოდ. ლიტ-რას (1985 სულ გამოცემული იყო 200 დასახელების წიგნი და ბროშურა), აგვილდოებს ი. გოგებაშვილის სახ. პრემიით და საზ-ბის საპატიო სიგელით. დაარსების დღიდან საზ-ბის უცვლელი პრეზიდენტია სსრკ პედ. მეცნ. აკადემიის აკად. დ. ლორთქიფანიძე. *ლ. დარჩია.*

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი, დაარსდა 1907 როგორც „კავკასიის სასწავლო ოლქის პედაგოგიური მუზეუმი". იარსებდა 1928-მდე; შემდეგ მის ბაზაზე პოლიტექ. სწავლების მუზეუმი გაიხსნა (1932), რ-საც 1938 სახ. განათლების მუზეუმი ეწოდა, ხოლო 1943—სახელმწიფო. მუზეუმის ექსპოზიციები ეძღვნება საქართველოში საბჭ. სკოლის ისტორიას, განათლების სისტემის განვითარებას, განათლების დამს. მოღვაწეებს. 1984 მუზეუმის ფონდში იყო 14,1 ათ. ექსპონატი, მუზეუმი დათვალიერა 18 ათ. კაცმა. მუზეუმს გამოცემული აქვს სახ. განათლების გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიები 4 წიგნად (1964, 1967, 1969, 1971).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, მუდმივმოქმედი რესპუბლიკური გამოფენა თბილისში. მისი დანიშნულებაა მრეწვ., სოფ. მეურნ., მშენებლობის, ტრანსპ., კავშირგაბმ., ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, მეცნ. და ტექ. მიღწევების დემონსტრირება. გამოფენა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაშია. მის მუშაობას ხელმძღვანელობს სახ. მეურნ. მიღწევათა გამოფენების რესპ. საბჭო, რ-იც იხილავს და ამტკიცებს გამოფენის თემატურ და თემატურ-საექსპოზიციო გეგმებს, ამტკიცებს გამოფენის მონაწილეებს, ანიჭებს მათ ჯილდოებსა და პრემიებს. მისი მთავარი ამოცანაა აქტ. პროპაგანდა გაუწიოს მეცნ., ტექ. და საწარმოო გამოცდილების უახლეს მიღწევებს, ხელი შეუწყოს მათ დანერგვას მრეწველობაში, სოფ. მეურნეობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე. ამ მიზნით რესპ. გამოფენაზე უწვენებენ სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგის მიღწევებს, ახ. ტექ. საუკეთესო ნიმუშებს, მრეწვ. და სოფ. მეურნ. პროდუქციას და სხვ. გამოფენა გაიხსნა 1961. მთლიანი ფართობი — 10 *ჰა*, საერთო საექსპოზიციო ფართობი—5640 *მ²*, მის ტერიტორიაზე 9 საგამოფენო პავილიონია: სოც. და ეკონ. განვითარების პავილიონი, მეცნ., მშენებლობის, სოფ. მეურნ., მსუბუქი და ადგილ. მრეწველობის, მრეწვ. და ტრანსპ., ხე-ტყის მრეწველობისა. მწვანე ნარგავებს უკავია 27000 *მ²*. გამოფენის მონაწილენი არიან სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, მრეწვ., მშენებლობის, სოფ. მეურნ., ტრანსპ. მოწინავე საწარმოები, სასწავლო, კულტურისა და ხელოვნ. დაწესებულებები, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა ორგანიზაციები. ექსპონატების შერჩევასა და ჩვენებაზე პასუხისმგებლები არიან სამინისტროები და უწყებები. საგამოფენო ტერიტორიაზე ტარდება საზღვაგარეთის გამოფენებიც. *მ. ეკიზაშვილი.*

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, დაგეგმვის სფეროში რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, რ-იც ახორციელებს საქ. სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვასა და სახ.-სამ. გეგმების შესრულებისადმი კონტროლს; შეიქმნა 1924; მიეკუთვნება საკ.-რესპ. კომიტეტების რიცხვს და ექვემდებარება საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტს.

ს. სსრ ს. ს. კ-ის მთავარი ამოცანაა სკკპ პროგრამის, სკკპ ცკ-ის, საქართვ. კომპარტიის ცკ-ის დირექტივების, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების, სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის მითითებების შესაბამისად შეიმუშაოს ეკონ. და სოც. განვითარების ძირითადი მიმართულებანი, ხუთწლიანი და წლიური გეგმები, რ-ებიც უზრუნველყოფენ საქ. სსრ საზ. წარმოების განუწყვეტელ პროპორციულ განვითარებასა და ეფექტიანობის ამაღლებას, რესპ. ეკონ. სპეციალიზაციას საერთოსაკავშ. შრომის დანაწილებაში იმ მიზნით, რომ გადიდდეს მისი წვლილი კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. ეკონ. და სოც. განვითარების ძირითად მიმართულებებსა და გეგმებს კომიტეტი ამუშავებს საქ. სსრ სამინისტროების, სახელმწ. კომიტეტებისა და უწყებების, ავტონ. რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონ. ოლქისა და რესპ. ქ-ებისა და რ-ნების სახ. დეპუტატთა საბჭოების, აგრეთვე საქ. სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშ. დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობით. ამასთან ერთად ამზადებს წინადადებებსა და დასკვნებს მრეწვ. შესაბამისი დარგების განვითარებისა და განლაგების იმ სქემების შესახებ, რ-ებსაც სსრკ სამინისტროები შეიმუშავებენ, აგრეთვე საქ. სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშ. დაქვემდებარების ახ. საწარმოების დაპროექტების, მოქმედთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების დავალებების მიხედვით.

კომიტეტი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საგეგმო საქმიანობას, ამოწმებს საწარმოებსა და ორგანიზაციებამდე საგეგმო დავალებათა დაყვანის თავისდროულობას და სისწორეს, ამზადებს დასკვნებს საქ. სსრ სახელმწ. ბიუჯეტის, რესპ. საკრედიტო და საკასო გეგმების პროექტების შესახებ, განიხილავს წინადადებებს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის გაუმჯობესების თაობაზე, ნერგავს საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებულ სისტემას, დადგენილი წესით ამტკიცებს ეკონ. და სოც. განვითარების გეგმის დავალებებს, შეაქვს მათში ცვლილებანი საჭიროების მიხედვით, ახორციელებს კონტროლს სახელმწ. გეგმების შესრულების მსვლელობასა და სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებათა და საწარმოთა მიერ წარმოების საშუალებათა და შრომითი რესურსების გამოყენებაზე, ავლენს სათანადო რეზერვებს და შესაბამის წინადადებებს უდგენს რესპ. სადირექტივო ორგანოებს.

სახელმწ. საგეგმო კომიტეტი მეთოდურად წარმართავს ავტონ. რესპუბლიკების, ოლქის, ქ-ებისა და რ-ნების საგეგმო კომისიათა მუშაობას.

კომიტეტი თავის ფუნქციებს ახორციელებს კრებსითი, ფუნქციური და დარგობრივი განყ-ბების მეშვეობით. კომიტეტთან მოქმედებს დაგეგმვისა და ახ. მეთოდების დანერგვის საკითხების უწყებათაშორისი კომისია, სახ. მეურნ. ეკონ. დაგეგმვისა და მართვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და გამოთვლითი ცენტრი. სახელმწ. საგეგმო კომიტეტს ხელმძღვანელობს კოლეგია და თავ-რე, რ-იც ამავე დროს არის საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე. *ირ. ყორდანია.*

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ფარმოეპის სახელმწიფო კომიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში 1959, რაც განაპირობა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების მიმართ აგრარული პრაქტიკის გადიდებულმა მოთხოვნებმა. ინ-ტი მუშაობს სოფ. მეურნ., ეკონ. თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე და ახორციელებს რესპუბლიკაში თავისი პროფილის სამეცნ.-კვლ. სამუშაოთა კოორდინაციას. ინ-ტის სამეცნ.-კვლ. მუშაობა მიმართულია რესპ. სოფ. მეურნ. გაადგილებისა და სპეციალიზაციის, მეურნ. გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების, მეურნეობათაშორისი კოოპერირებისა და აგრ.-სამრეწვ. ინტეგრაციის, შრომის ორგანიზაციის, მეურნეობათა შორისი კოოპერ. სამეურნეო ანგარიშის, მართვის, დაგეგმვის, კაპიტალდაბანდებათა, ეკონ. ეფექტიანობის, აღრიცხვის, გამოთვლითი ტექ., მათ. მეთოდების გამოყენებისა და სხვა აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე. ინ-ტი ამზადებს სამეცნ. კადრებს. 1959 — 83 მიზნობრივი ასპირანტურისა და მაძიებლობის გზით მომზადდა და სამეცნ. ხარისხი მიენიჭა 50 თანამშრომელს (მ. შ. 6 მეცნ. დოქტორის და 38 მეცნ. კანდიდატის). 1959—80 ინ-ტის მიერ გამოცემულია 212 შრომათა კრებული, მონოგრაფია, ბროშურა და სხვ. ინ-ტი სისტემატურად განამტკიცებს მეცნ. კავშირს წარმოებასთან. *ვ. ბურკაძე.*

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები", საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ყოველთვიური ოფიციალური გამოცემა. გამოდის თბილისში 1938-იდან ქართ. და რუს. ენებზე. „უწყებებში" ქვეყნდება საქ. სსრ კანონები, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, ბრძანებულებანი საქ. სსრ საპატიო წოდებათა დაწესებისა და მინიჭების შესახებ, საქ. სსრ პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ, საინფორმაციო მასალა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევისა და გაწვევის, რესპ. ადმ.-ტერ. დაყოფაში ცვლილებათა შეტანისა და სხვ. შესახებ.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი (*სქსახჩაიმრეწვი*), 1983 წ. 5 აპრ-მდე მას ერქვა საქ. სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაი". სახელმწ. კომიტეტის საწარმოები უშვებენ შავსა და მწვანე ბაიხაოს, შავ ფილა, მწვანე აგურა და სწრაფად ხსნად ჩაის.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ჩაის მრეწვ. ჩაზოყალიბება და მისი აღმავლობა კეების მრეწვ. ერთ-ერთ მსხვილ დარგად. სერიოზული ყურადღება მიექცა შავი ზღვის სანაპიროების მდიდარი ბუნებრივი პირობების გამოყენებას და მძლავრი ჩაის მეურნეობებისა და გადამუშ. მრეწვ. შექმნას. 1920 მოკრეფილი იყო 500 *ტ* ჩაის ფოთოლი, 1940 — 51741 *ტ*, 1970 — 258000 *ტ*, ხოლო 1980—500000 *ტ*-ზე მეტი. 1980-თვის საქართველოში იყო 76 ათ. *ჰა* სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია.

ნედლეულის ბაზის ზრდასთან ერთად იქმნებოდა და ვითარდებოდა ჩაის მძლავრი მრეწველობა. პირველი საბჭ. ჩაის ფ-კა ექსპლუატაციაში შევიდა 1927 სოფ. ბობოყვათში. სულ ომამდელ ხუთწლედებში საქართველოში აშენდა 28 ახ. ჩაის ფ-კა.

საქართვ. ჩაის მრეწველობას ამჟამად აქვს მაღალი ტექ. და ტექნოლ. აღჭურვილობის 87 ჩაის პირველადი გადამუშავების, 3 ჩაის საწონი ფ-კა, 1 ჩაის წარმოების კომბინატი, 2 მწვანე აგურა ჩაის საწნეხი ფ-კა და 1 ნატურალური ჩაის კონცენტრატების კომბინატი. სსრკ-ში ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავება თავმოყრილია 3 მოკავშირე რესპუბლიკაში — რსფსრ-ში (კრასნოდარის მხარე, 2 ფ-კა), საქ. სსრ-სა (87 ფ-კა) და აზერბ. სსრ-ში (8 ფ-კა). საქართვ. წილად მოდის ჩაის საკავშ. წარმოების 96%. დფასოებულ ჩაის უშვებს 15 გადამწონი ჩაის ფ-კა. 1980 გამომუშავებული ნატურალური ჩაის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 166,5 ათ. *ტ*.

ჩაის წარმოების რაოდენობრივ ზრდას-

თან ერთად იზრდებოდა გამომუშავებულ ჩაიში უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციის ხვ. წ. მთლიან პროდუქციაში. იგი 1940 შეადგენდა 18,5%, 1950 — 36,4%, 1970 — 62%, ხოლო 1980 — 72,6%.

სამამულო ჩაის მნიშვნელოვანი რაოდენობა იგზავნება საექსპორტოდ დემოკრ. და კაპიტალ. ქვეყნებში. ჩაის გატანა ყოველწლიურად იზრდება. თუ 1970 გატანილი იყო 7428 ტ შავი და მწვანე ბაიხაოს ჩაი და 3200 ტ მწვანე აგურა ჩაი, 1980 ამ ციფრმა მიაღწია 15921 და 4859 ტ (შესაბამისად).

ჩაის წარმოების განვითარებაში ასეთი დიდი წარმატებები დროის უმოკლეს პერიოდში განაპირობა საბჭ. მეცნ. ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა შრომამ ჩაის აგროტექ., ტექნოლ. და ბიოქიმ. დარგში, აგრეთვე ფართო სამეცნ. კვლ. მუშაობამ, რ-საც ხუთი ათეული წლის მანძილზე ეწეოდნენ ჩაისა და სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეც.-კვლ. და ჩაის მრეწვ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები მრეწვ. მუშაკებთან თანამეგობრობით და მტკიცე კავშირში.

„საქსახჩაიმრეწვი" მძლავრი სამეურნეო ორგანიზმია, რ-ის საწარმოებმა 1980 გამოუშვა 124,5 ათ. ტ-მდე ბაიხაოს ჩაის პროდუქცია და დაფასოებული ნატურალური ჩაი (47,7 ათ. ტ). *გ. ბარებავა.*

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, საკავშირო რესპუბლიკური ორგანო. ექვემდებარება საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრკ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს. შეიქმნა 1921 წ. 1930—48 ექვემდებარებოდა საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, 1948—78 არსებობდა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან. საქ. სსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველო ეწოდება 1978-იდან. სამმართველო და მისი ადგილ. ორგანოები ახორციელებენ თავიანთ მუშაობას საერთო სახელმწიფოებრივი სტატისტ. ზოგადი პრინციპების, ერთიანი მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის საფუძველზე. სამმართველო აწარმოებს აღრიცხვასა და სტატისტიკას საქ. სსრ სახ. მეურნ. დარგებში და ახორციელებს ამ საქმისადმი ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას. მისი მთავარი ამოცანებია: სახელმწ. გეგმების შესრულების მიმდინარეობის, საზ. წარმოებისა და მეცნ.-ტექ. პროგრესის ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახ. მეურნ. დარგთა განვითარებაში თანაფარდობის, ეკონ., ტექ., კულტ. განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, საწარმოო ძალების გაადგილების რესპ. სახ. მეურნეობაში ბუნებრივი, შრომითი და მატერ. რესურსების არსებობისა და გამოყენების ამსახველი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და სათანადო ინფორმაციის შესაბამისი ორგანოებისათვის დროულად მიწოდება; სტატისტ. მასალების ეკონ. ანალიზი და საქ. სსრ მთავრობისათვის რესპ. სახ. მეურნ. და კულტ. განვითარების აქტუალურ საკითხებზე მოხსენებათა და წინადადებათა წარდგენა; სახ. მეურნ. ანგარიშგებითი ბალანსისა და პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის შედგენა, აღწერების, ერთდროული აღრიცხვების, შერჩევითი მონოგრაფიული და სოციოლოგიური სტატისტ. გამოკვლევების ჩატარება, სტატისტ. მასალების გამოქვეყნება პრესაში. მთელ თავის საქმიანობას სამმართველო ახორციელებს რეგიონალური სტატისტ. სამმართველოების, საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრების (სადგურების) და სხვ. მეშვეობით. *რ. ბაბარია.*

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, დაარსდა თბილისში 1920 როგორც საქართვ. ეროვნ. სამხატვრო გალერეა. 1932 ამ გალერეის ბაზაზე შეიქმნა სახვითი ხელოვნების ცენტრ. მუზეუმი, სადაც გაერთიანდა საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზების, თსუ-ის ძვ. ქართ. ხელოვნ. მუზეუმის კოლექციები. 1933-იდან ეწოდებოდა სახვითი ხელოვნების ცენტრ. მუზეუმი „მეტეხი", 1950-იდან—საქ. სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. მუზეუმში ძირითადად ინახება ქართ. ხელოვნ. ნიმუშები უძველესი დროიდან დღემდე. 1984 ფონდებში დაცულია 60 ათ-მდე ექსპონატი. მუზეუმის საგანძურში განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი VIII—XIX სს. ქართ. ოქრომჭედლობა (ზარისმის ფერისცვალების ხატი, ბედიის ბარძიმი, ანჩისხატისა და ხახულის კარედები, თამარ მეფის ჯვარი, ლაკლაკიძეების ხატი, ტონდო წმ. მამას გამოსახულებით, საწინამძღვრო ჯვრები და სხვ.), ტიხრული მინანქრები VIII — XV სს., საიუველირო ნაწარმი, მხატვრული ქსოვილები. ძვ. ქართ. ხელოვნების ფონდში შედის შუა საუკ. ქართ. არქიტექტურის, მონუმ. ფერწერისა და მოზაიკის, ქანდაკების, ხატწერის, ხეზე კვეთილობის ნიმუშები (დაცულია უნიკალური ორიგინალები და პირები). მდიდარია ახ. და თანამედროვე ქართ. ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშთა კოლექცია (ნ. ფიროსმანაშვილის, ა. ბერიძის, რ. გველესიანის, შ. ქიქოძის, ა. მრევლიშვილის, გ. გაბაშვილის, ი. ნიკოლაძის, ნ. კანდელაკის, მ. თოიძის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ქ. მაღალაშვილის, ე. ახვლედიანის, ს. ქობულაძის და სხვ. ნაწარმოებები). მუზეუმს აქვს რუს. (დ. ლევიცკი, ვ. ტროპინინი, ი. აივაზოვსკი, მ. ვრუბელი და სხვ.), საბჭ. რესპუბლიკების ხალხთა (ე. ლანსერე, ი. გრაბარი, ა. დეინეკა), დას. ევრ. ქვეყნების (იტალია, გერმანია, ნიდერლანდი) და აღმ. ქვეყნების (განსაკუთრებით ირანის) ხელოვნ. კულტ. თვალსაჩინო კოლექციები.

ფილიალები: მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმები (თბილისი), ქ. ცხაკაიას სურათების გალერეა. *თ. სანიკიძე.*

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროსი, დაარსდა 1952 ქუთაისში ქუთ. სას.-სამ. ინ-ტის სახელწოდებით. 1959 ინ-ტი გადავიდა სოხუმში (კელასური) და ეწოდა ს. ს. ზ. ი. ამაზადეს კადრებს სუბტროპ. მეურნეობებისათვის. ინ-ტს აქვს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების (ქართ. და რუს.) სექტორები, აგრეთვე მოსამზადებელი განყ-ბა, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საზ. პროფესიათა ფაკ-ტები. ინ-ტში არის 32 კათედრა, 2 სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭო (სუბტროპ. კულტურებისა და ჩაის ტექნოლ.). დასწრებულ განყ-ბაზე სწავლობს 1300, ხოლო დაუსწრებელზე 1800 სტუდენტი. აქვს ასპირანტურა, აგრეთვე მექანიზაციის ფაკ-ტის სასწ. პავილიონი, ნიადაგმცოდნეობისა და გეოლ. მუზეუმი, სასწ. მეურნეობა, სპორტ. კომპლექსი; ბ-კა; 1956-იდან აქვეყნებს „შრომათა" კრებულს.

ვ. ფრუიძე.

საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, იხ. ტ. *საქართველოს სსრ,* თავი ბეჭდვითი სიტყვა. საგამომცემლო საქმე. პერიოდიკა. ტელევიზია. რადიომაუწყებლობა.

საქართველოს ფილიალი სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა, დაარსდა 1935 თბილისში სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის (1932) გაყოფის შედეგად სამ დამოუკიდებელ — აზერბ., საქართვ., და სომხ. ფილიალად. ორგანიზაციულად საქართვ. ფილიალის წინამორბედი იყო ამიერკავკ. ფილიალის საქართვ. განყ-ბა (1933), რ-საც გადაეცა პ. მელიქიშვილის სახ. ქიმ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (ახლანდ. საქ. სსრ მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. *ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*), თბილ. ბოტან. ბაღის სამეცნ.-კვლ. ქვედანაყოფები, თბილ. სეისმური სადგური, საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ნიადაგის ლაბორატორია, რ-ებიც მალე გადაკეთდა ინ-ტებად (ახლანდ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. კეცხოველის სახ. *ბოტანიკი ინსტიტუტი* და *გეოფიზიკის ინსტიტუტი* საქ. სსრ სას.-სამ. წარმოების საბელმწ. კ მიტეტის მ. საბაშვილის სახ. ნიადაგმცოდ ნეობის, აგროქიმ. და მელიორ. სამეცნ. კვლ. ინ-ტი). 1935-იდან ფილიალში შ ვიდა მათ. ინ-ტი (დაარსდა თსუ-ში 193 ახლანდ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. რაზმაძი სახ. *მათემატიკის ინსტიტუტი*), *აბასთუმ ნის ასტროფიზიკური ობსერვატორი* (1932), ზოოლ. სექტორი (1932—35 სხვ დასხვა ორგანიზაციული სახით უშუალო შედიოდა ამიერკავკ. ფილიალში; ახლანდ საქ. სსრ მეცნ. აკად. *ზოოლოგიის ინსტ ტუტი*), კავკასიისმცოდნეობის ინ-ტი [193 იდან ნ. მარის სახ. *ენის, ისტორიისა მატერიალური კულტურის ინსტიტუტ* (ენიმკი)], აფხ. კულტ. ინ-ტი (1930, ა ლანდ. საქ. სსრ მეცნ. აკად. დ. გულია სახ. *აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტი*). 1939 ფილ ალთან დაარსდა ენერგეტ. სექტორი (194 იდან ინ-ტი), ხოლო 1940 — გეოფიზ. ი ტში — ანტისეისმური მშენებლობის რეს ბიურო (ახლანდ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ზავრიევის სახ. *სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი*). სხვ დასხვა დროს ამიერკავკ. ფილიალის ს ქართვ. განყ-ბასა და საქართვ. ფილიალ თან არსებობდა გეოლ. და ბიოლ. სექტო რები, საწარმოო ძალთა შემსწავლელ სექცია და სხვ. 1941 ფილიალისა და თსუ თან არსებული რამდენიმე სამეცნ.-კვლ დაწესებულების (გეოლ. და ფიზიოლ. ი ტები, ფსიქოლ. და ყოფ. ფიზ. ინ-ტის ლა ბორატორიები) ბაზაზე ჩამოყალიბდა *მეც ნიერებათა აკადემია საქართველოს სსრ ისა*. ფილიალის გამოცემები იყო: „მეცნ ერების მოამბე" (1936, № 1), „სსრკ მეც ნიერებათა აკადემიის საქართველოს ფი ლიალის მოამბე" (1940, ტ. 1, № 1—10) ფილიალის თავ-რეები: 1933—34—ნ. მარ (სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალი საქართვ. განყ-ბისა), 1935—36 — ლ.პისა რჟევსკი, 1936—37—ნ. გორბუნოვი, 1938 41—ნ. მუსხელიშვილი. *ვ. ჯაფარიძე*

„საქართველოს ძალი", საქართველო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყო ველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი გამოვიდა 1923 სექტ. თბილისში „ჩვენ გზის" სახელწოდებით; 1926-იდან „მშრომე ლი ქალი" ერქვა. 1939-იდან აღარ გამოდი ოდა. გამოცემა განახლდა 1957 ივლ-შ „საბჭოთა ქალის" სახელწოდებით. ჟურ ნალის პირველი ორგანიზატორები იყვნე ლ. გასვიანი, კ. ჯაფარიძე, მ. ორახელა შვილი, ნ. ჩარკვიანი, ფ. გეგეშიძე, ს. თა ლაკვაძე და სხვ., აგრეთვე ფ. მახარაძე და ც ხაკაია. 1957—64 ჟურნალის რედაქტორა მუშაობდა თ. აბაშმაძე, 1965-იდან რე დაქტორია მ. ბარათაშვილი. დაჯილდო ბულია „ხალხთა მეგობრობის ორდე ნით" (1974). ტირაჟი 135 ათ. (1983) ჟურნალი ბეჭდავს მოთხრობებს, ლექსებს ნარკვევებსა და წერილებს ხალხთა მეგობ რობისა და სოციალ. ინტერნაციონალიზმ თემებზე; ოჯახის, აღზრდისა და განათლე ბის პრობლემებზე. თანამშრომლობენ სა ზ მოლვაწეები, მეცნიერები, მწერლები, ჟურ ნალისტები, მუშები და კოლმეურნეები.

მ. ბარათაშვილი

საქართველოს შაქრის კომბინატი რესპუბლიკის კეების მრეწველობის მსხვი ლი საწარმო ხაშურის რ-ნის დაბა აგარაშ (თბილისიდან დაშორებულია 100 კმ ით). საწარმოს მახლობლად ჩამოყალიბ და მეჭარხლეობის საბჭ. მეურნ., რ-სა დაითმო 3185 ჰა მიწის ფართობი. კომბი ნატი ძირითადად შეიარაღებულია სამამუ ლო მანქანადანადგარებით. 1933 გადაამუ შავეს 4440 ტ შაქრის ჭარხალი და მიიღე 329,9 ტ თეთრი შაქარი. შემდგომ წლებ ში ს. შ. კ. ყოველწლიურად ზრდიდა წარ მოების მოცულობას. 1940 საწარმომ გა დაამუშავა 108 ათ. ტ შაქრის ჭარხალი

დღეღამისო გადამუშავებამ 816 ტ შეად-ნა.

სამამულო ომის წლებში (1941—45) ინბინატი უმთავრესად ემსახურებოდა რონტის ინტერესებს. დღეისათვის კომ-ნატს ნედლეულით ამარაგებენ ძირითა-ად ქართლისა (ხაშურის, ქარელის, გო-ის, კასპის) და სამხრ. ოსეთის რ-ნები, 976 მათ ჩაბარეს 130 ათ. ტ, 1977—135 ი. ტ, 1978 — 118 ათ. ტ, 1979 — 112 ი. ტ, 1980 — 120 ათ. ტ შაქრის ჭარხა-ი. კომბინატი ამუშავებს აგრეთვე ჰორტ. ნედლეულს (50 ათ. ტ). ს. შ. ის სიმძლავრე დღე-ღამეში 1500 ტ შეად-ნს. *პ. საყვარელიძე.*

„საქართველოს ქალთაგან და ჩვ-ლებითად ქართველ მეფეთა დროთა ეფოლებული სჯული“, ქართული *ეულებითი სამართლის* კრებული. შედ-ნილია XIX ს. დასაწყისში რუს. იმ ადმ.-სამართლო ორგანოების საჭიროებისათ-ს, რ-თაც საქართვ. მკვიდრთა სამარ-ალწარმოება ექვემდებარებოდა.

კრებ. მოამზადა ჩვეულებით-სამართ-ებრივ ნორმათა შემკრებ-ჩამწერმა სა-ნგებო კომიტეტმა, რ-იც ქართვ. თავად-აგან შედგებოდა. კომიტეტის წევრებს და-ლებული ჰქონდათ ისეთი ოდითგან მოქ-დი ქართ. ჩვეულებების ფიქსირება, ებიც არ იყო ასახული ვახტანგ VI-ის სა-რთალში. ჩვეულებითი სამართ. კრებუ-ის შესადგენად მუშაობა 1809 დაიწყო, 13 მზად იყო ქართ. ტექსტი, 1815 კი — ვიც. რუს. თარგმანი. კრებულის შედგენა მწვავებულ ვითარებაში წარიმართა, ამდენადაც იმთავითვე მკვეთრად გამოვ-ინდა აღსანუსხავი ჩვეულებებისადმი მკრებ-ჩამწერთა ურთიერთსაწინააღმდე-ო მიდგომა, მათი შინაარსის სხვადასხვა-ირად გაგება.

ძეგლი ქართ. ჩვეულებითი სამართ. ორმების უნიკალური დარგობრივი ჩანა-ერია. მისი შედგენის დროისათვის სა-რთველოში ადგილ. კანონ-წესების მი-დვით მარტოოდენ სამოქალაქო სამართ. ქმედს იხილავდნენ. ამიტომ იგი სამო-ლაქო-სამართ. (ნაწილობრივ პროცე-ალურ) ჩვეულებით „სჯულს“ ანუ დაუ-რელი სამართ. ნორმებს შეიცავს. ისინი ლთაგანვე, საუკუნეთა განმავლობაში ქმედებდნენ საქართველოში და თვით ებულიც სხვადასხვა დროს შემოღებულ, შეფო ხელისუფლების მიერ მოწონებულ დაკანონებულ ძირძველ ჩვეულებათა თობლიობაა.

წეს-ჩვეულებათა შემკრებ კომიტეტს აწერები საგნობრივად დაულაგებია და უბ. სისტემურად გაუწყვია. შინაარ-ბრივად მონათესავე ნორმები თავებადაა ერთიანებული. კრებ. შეიცავს 74 მუხლს, ებიც ასეა დაჯგუფებულ-დასათაურებუ-ი: „საზოგადო მამულისა და ყმის მორას-დეთათვის“ (მმ. 1—2); „საზოგადო თა-უქით ვალისათვის“ (მმ. 3—6); „სა-გადო გირაოთ აღებულის ვალისათვის“ მ. 7—12); „საზოგადო ვალის გარდუმხ-ლთათვის“ (მმ. 13—22); „საზოგადო რობისათვის“ (მმ. 23—29); „გარდაცვ-ელ კაცთათვის“ (მმ. 30—38); „გაყრი-ვის“ (მმ. 39—56); „ახლის სახლის და ახის შენობისათვის“ (მმ. 57—58); ისამართლეთ და ბჭეთ განჩინებისათ-ს“ (მმ. 59—60); [„მებატონეთა და ყმა-თვის“] (მმ. 61—74).

კრებ. ქართ. ჩვეულებითი სამართ., ელდობრ სამოქალაქო სამართ., აგრე-ე სამართალწარმოების ინ-ტების ისტ. და ხდ. საქართვ. სოც.-ურთიერთობათა წავლის მნიშვნელოვანი წყაროა. მასში ხულია საკანონმდებლო აქტთა ხარვე-ს შემავსებელი ნორმები. ცალკეული ხლების შენიშვნა-დანართები შეიცავს ნაცემებს *ვახტანგ VI-ის სამართლის წყთა კრებულში* შეტანილი ეროვნ. (სა-ორივ ვახტანგ VI-ის, ბაგრატ კურაპალა-ს, გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბუ-ღას) და უცხოურიდან თარგმნილი (მო-სეს, ბერძნ., სომხ.) სჯულმდებლობის სა-თანადო დადგენილებათა „ამ ჩვეულებისა-მებრ მოხმარების“ ან „არ მოხმარების“ შე-სახებ. კრებ. საყურადღებოა ქართ. კანონ-მდებლობის ფესვების, მისი წყაროების გარკვევის, აგრეთვე სამართ. ზოგადი ისტ., შედარებითი სამართალმცოდნეო-ბის თვალსაზრისით. ძეგლის ოფიც. რუს. თარგმანი 2-ჯერ გამოიცა XIX ს-შიეე (რუს. სენატის სამსახურებრივი გამოც. — „Законы грузинские“; ა. ფრენკელისა და დ. ბაქრაძის 1887 გამოც. — Сборник законов грузинского царя Вахтанга VI). ქართ. დედანი აღმოაჩინა და პირველად გამოაქვეყნა (ჩვეულებათა შეკრება-ჩაწე-რის ისტ. ნარკვევითურთ) პ. გუგუშვილმა („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1938, ნაკვ. 3, ტყ., 1939). პარალელური ქართ.-რუს. პუბლი-კაცია (გამოკვლევითურთ) ეკუთვნის ი. დოლიძეს (1960), რ-მაც ქართ. ტექსტი X—XIX სს. საქართვ. საერო საკანონმდებ-ლო ძეგლებთან ერთადაც დაბეჭდა (ქარ-თული სამართლის ძეგლები, ტ. 2, თბ., 1965).

ლიტ.: დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960.

ი. ფუტკარაძე.

საქართველოს ხეობა, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტო-რიაზე (კოლხიდის სოფსაბჭო), აფხაზეთის მთისწინეთზე, მდ. ოლგინსკის ნაპირას. ზ. დ. 60 *მ*, გაგრიდან 7 *კმ*. კოლხიდის მე-ციტრუსეობის საბჭ. მეურნ. „სიხარული“. რვაწლ. სკოლა სოფ. კოლხიდაში (1 *კმ*).

საქართველოს პიდრომეტეოროლოგიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევი-თი ინსტიტუტი სსრკ მელიო-რაციისა და წყალთა მეურ-ნეობის სამინისტროსი, ჩამო-ყალიბდა თბილისში 1929. ინ-ტს აქვს 8 განყ-ბა და 4 ლაბორატორია, აგრეთვე ექს-პერ. ბაზები ალაზნის ველზე, სამგორში, ქართლში, კოლხეთსა და მდ. არაგვის აუზში. ინ-ტში მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები სამთო მიწათმოქმედების პი-რობებისათვის სას.-სამ. კულტურების რწყვის რეჟიმისა და ტექ., კოლხეთის და-ჭაობებული ნიადაგების დაშრობისა და ათვისების, სამელიორაციო ჰიდროტექ. ნა-გებობათა მშენებლობისა და ექსპლუატა-ციის, წყლისმიერი ეროზიის, წყალდიდო-ბისა და ღვარცოფების პროგნოზირების, კალაპოტის მდგრადობისა და სამელიორა-ციო ნაგებობების საიმედოობის გაანგარი-შებისა და სხვა დარგებში. ინ-ტი აქვეყნებს სამეცნ. შრომების კრებულს; აქვს ასპი-რანტურა. *ფ. შატბერაშვილი.*

საქარია (Sakarya), მდინარე თურქეთის ჩრდ.-დას. ნაწილში. სიგრძე 790 *კმ*, აუ-ზის ფართ. დაახლ. 65 ათ. *კმ*². მიედინება ანატოლიის ზეგანზე, კვეთს პონტოს მთე-ბის დას. დაბოლოებას და ჩადის შავ ზღვა-ში. წყალდიდობა იცის ზამთარში. ს-ზეა სარიყარისა და გოქჩეკაიის ჰესები. იყენებენ სარწყავად. ს-ს ქვემოთშია ქ. ადაფაზარი.

საქარიმეტრი, პოლარიზაციული ხელ-საწყო, რ-საც იყენებენ ოპტიკურად აქ-ტიური ნივთიერებების (ძირითადად შაქ-რის) კონცენტრაციის განსასაზღვრავად.

ლიტ.: Шишловский А. А., Прикладная физическая оптика, М., 1961.

საქარიმეტრია, ხსნარებში ოპტიკურად აქტიურ ნივთიერებათა (ძირითადად შაქ-რის) კონცენტრაციის განსაზღვრის მე-თოდი. საფუძვლად უდევს პოლარიზაციის სიბრტყის მობრუნების კუთხის სიდიდის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე; იყე-ნებენ კვებისა და ქიმ. – ფარმაცევტულ მრეწველობაში.

საქარინი, ო-ს ულ ფობენზომჟა-ვას იმიდი, $C_7H_5NO_3S$, ტკბილი გემოს მქონე უფერული კრისტალები; tდნ 224—226°C, წყალსა და სპირტში ცუდად იხსნება; მრეწველობაში ს-ს ღებულობენ ო-ტოლუოლსულფამიდისაგან. ს. შაქარ-ზე 400—500-ჯერ უფრო ტკბილია. იყენე-ბენ შაქრის მაგივრად შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა საჭმელში. ორგანიზმი ს-ს არ ითვისებს, გამოიყოფა შარდთან ერ-თად.

საქარის მევენახეობის საცდელი სადგური ვ. სტაროსელსკის სახელობისა, დაარსდა 1890 რო-გორც ამერ. ვაზის სადედე. 1901 ეწოდა ს. მ. ს. ს. აქვს განყ-ბები: მევენახეობის აგროტექ. და ვაზის სელექციის, ნიადაგთ-მცოდნეობის, აგროქიმ., მებილეობის; მცე-ნარეთა დაცვისა და ღვინის ტექნოლ. სექ-ტორები; მექანიზაციის ჯგუფი. კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა იმე-რეთის პირობებში სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ვაზის პერსპექტიული ჯიშე-ბისა და პიბრიდების გამოყვანა და გამოვ-ლენა; ვენახის გაშენებისა და მოვლის ტექ-ნოლ. დამუშავება და სრულყოფა. აქვს 3 საყრდენი პუნქტი (ჩოხატაურის, ცხაკაიას, ამბროლაურის), 3 ექსპერ. ბაზა, ბ-კა. სცემს „შრომებს“. *ლ. კვიტაიშვილი.*

საქარიძედი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (კიცხის სოფსაბჭო), მესხეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთზე. ზ. დ. 510 *მ*, ორჯონი-კიძიდან 7 *კმ*. კიცხის კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხოველეობა, მემინდვრეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა და სკოლა-ინ-ტერნატი სოფ. კიცხში (4 *კმ*).

საქაროზა, ჭარხლის ან ლერწმის შაქარი, ერთ-ერთი უმნიშვნე-ლოვანესი *დისაქარიდი*. უფერული წვალ-ში კარგად ხსნადი კრისტალებია, შეიცავს ყველა მწვანე მცენარე. tდნ 185—186°C. მჟავას ან ფერმენტ საქაროზას მოქმედებით იშლება *გლუკოზად* და *ფრუქ-ტოზად*. ს. ადვილად შესათვისებელი და უმნიშვნელოვანესი სატრანსპ. ნახშირწყა-ლია მცენარეებში; ფოტოსინთეზის პრო-ცესში წარმოქმნილი ნახშირწყლები ფოთ-ლებიდან თესლში, ფესვებში, ტუბერებსა და ძირხვენებში გადადის ს-ს სახით, სა-დაც ადვილად იქცევა სახამებლად და ინუ-ლინად. შაქრის ლერწმისაგან ს-ს მიღების წესებს იცნობდნენ ინდოეთში, ჩინეთში, ეგვიპტეში. ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში ს-ს შაქრის ჭარხლისაგან იღებენ. ს-ს ფართოდ იყენებენ კვებისა და მიკრობ-იოლ. მრეწველობაში. ს-ს დუღილის შე-დეგად მიიღება ეთილის სპირტი, აცეტონი, ძმარმჟავა, რძემჟავა და სხვ. ს-ს *შაქარს* უწოდებენ. *ნ. ნუცუბიძე.*

საქაროფერი, მთა თუშეთ-ხევსურე-თის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ორ-წყლის (თუშეთის ალაზნის მარჯვ. შენა-კადი) ზემოთში. სიმაღლე 2977 *მ*. აგებუ-ლია იურული თიხაფიქლებით. აქვს კონუ-სის ფორმა. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მცენარეულობით. დ. *ტაბიძე.*

საქასარია, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (ბორითის სოფსაბჭო), მდ. ძირულის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 420 *მ*, ორჯონიკიძი-დან 25 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხო-ველეობა, მემინდვრეობა). გორის ბამბეუ-ლის კომბინატის ფილიალი, ამაშუკეთის საშენ მასალათა კარიერი. სკოლა-ინტერ-ნატი, დაწყ., რვაწლ. და საშ. სკოლები, საბავშვო ბაღი, კულტსახლი, 3 ბ-კა, საა-ვადმყოფო, მედპუნქტი, აფთიაქი, ფოსტა. სოფელში დგას შუა საუკ. სავანის ეკლესია.

საძაძი, XV ს. I ნახევრის უზბეკი პოეტი. ა. ნავოი დიდად აფასებდა როგორც უილუ-რული და თურქ. ენის ოსტატს. ჩვენამდე მოაღწია ს-ის *კასიდებისა* და *ღაზალების* დივანმა. კასიდებში იგი ხოტბას ასხამდა თემურიდების დინასტიის მმართველებს, ემდუროდა უსამართლობას, იმედს ამყა-რებდა განათლებულ, ჰუმანურ მმართველზე (ულულ-ბეგისადმი მიძღვნილი კასიდე-ბი). ს-ის შემოქმედებამ გავლენა მოახდი-ნა უზბ. ლიტ-რის განვითარებაზე.

საძაშეთი, სოფელი გორის რ-ნში (ვა-რიანის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკე-ზე. ზ. დ. 710 *მ*, გორიდან 18 *კმ*, ვარიანის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ.

სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი.

საქერე, სოფელი დუშეთის რ-ნში (ჭართლის სოფსაბჭო), გუდამაყრის ქედის დას. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის მარცხ. მხარეს, ჯეჯილისის ხევზე. ზ. დ. 1300 *მ*, დუშეთიდან 41 *კმ*. ანანურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ჭართალში (10 *კმ*).

საქერია, მთა მთიულეთ-ფშავის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქმოსტურის (ხევსურეთის არაგვის აუზი) სათავეში. სიმაღლე 2962 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. კალთები ციცაბოა, დანაწევრებული, შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. *დ. ტაბიძე.*

საქვაბე დანადგარი, მოწყობილობათა კომპლექსი სხვადასხვა წნევის წყლის ორთქლის ან ცხელი წყლის მისაღებად. შედგება *ქვაბაგრეგატისა* და დამხმარე მოწყობილობისაგან (აირ- და ჰაერსადენები, ორთქლისა და წყლის არმატურიანი მილსადენები, წევასაბერი მოწყობილობები და სხვ.). მცირე სიმძლავრის ს. დ-ს ჩვეულებრივ არა აქვს დამხმარე მოწყობილობა, მაგრამ მის შედგენილობაში შედის არმატურიანი მკვებავი ტუმბო და ნაგებობები წყალმომზადებისათვის. მძლავრ ს. დ-ს უკავია ასობით ათასი $м^3$ მოცულობის სათავსები, ასეთი ს. დ. წუაყს 600 *ტ/სთ*-მდე სატბობს, გამოიმუშავებს 4 ათას *ტ/სთ*-მდე ორთქლს.

საქვესკნოდ გაბრიელ მოზელე, იხ. სტ. *მოხელე*.

საქვესკნოობის პრინციპი, სამართალწარმოების საქვესკნოობა, სასამართლო საქმეების განხილვა ღია სხდომაზე, სასამართლოს დარბაზში ყველა მსურველი მოქალაქის თავისუფალი დასწრების პირობებში. ს. პ. საბჭ. მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოკრ. პრინციპია, რ-საც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი.

სსრკ კონსტიტუციის 157-ე მუხლი ადგენს, რომ საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, ამასთან დაცული უნდა იყოს სამართალწარმოების ყველა წესი. მოქმედი კანონმდებლობით სამართალწარმოება დახურულად ტარდება მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს სახელმწ. საიდუმლოების დაცვის ინტერესები. დახურული სასამართლო განხილვა, გარდა ამისა, დასაშვებია სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით იმ პირთა დანაშაულის საქმეებზე, რ-ებსაც 16 წელი არ შესრულებიათ, სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე, აგრეთვე სისხლისა და სამოქალქო სამართ. სხვა საქმეებზე იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცნობათა გახმაურება საქმეში მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმურ მხარეთა შესახებ (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 16). სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება. სასამართლო საქმეების ღია სხდომაზე განხილვა აღმზრდელობით ზემოქმედებას ახდენს პროცესის მონაწილეებზე და დამსწრე საზოგადოებაზე, ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას, სასამართლო საქმიანობაზე საზ. კონტროლის განხორციელებას. ს. პ-ის ფართოდ განხორციელებას უზრუნველყოფს საქმეების განხილვა *გამსვლელ სესიაზე*, პროცესების გაშუქება ტელევიზიით, რადიოთი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. *ა. შუშანაშვილი.*

საქვრივო, ქვრივი გლეხი ქალის გათხოვებისას მისი ბატონის სასარგებლოდ სასიძოსათვის დაკისრებული გადასახადი გვიანდ. ფეოდალურ საქართველოში. ს. ვახტანგ VI-ის სამართლითა და დასტურლამალით წესრიგდებოდა. სამეფო სოფლებში ს-ს ძირითადი ნაწილი მეფისა იყო, ხოლო ნაწილი — *მოურავის, ნაცვლისა* და *მამასახლისის*. ს-ს ჩვეულებრივ შეადგენდა 1 ხარი ან ძროხა, რასაც 5 აბაზიც ემატებოდა. XVIII ს. II ნახ. და XIX ს-ში ს-მ ფულადი გადასახადის ხასიათი მიიღო და მისი რაოდენობა 5-იდან 50 მანეთამდე მერყეობდა.

ლიტ.: დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 148—155; სურგულაძე ი., შემთხვევებთან დაკავშირებული (ექსტრაორდინარული) გადასახდელები გვიანფეოდალურ საქართველოში, „ეკონომიკის ინ-ტის შრომები", 1953, ტ. 7, გვ. 390—402. *ი. სურგულაძე.*

საქინფორმი, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტო, რესპ. მთავარი საინფორმაციო სამსახური პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისათვის. შედის საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საკდესის) საკავშ. და საზღვარგარეთის საინფორმაციო-პროპაგანდისტულ სამსახურში. შეიქმნა თბილისში 1921 მარტში (ეწოდებოდა რუს. დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკ. განყ-ბის სამმართველო). 1923 წ. 6 მარტს ამიერკავკ. ცაკის დადგენილებით გადაკეთდა და დაერქვა ამიერკავკ. დეპეშათა სააგენტო, 1936 დამლევს (ასფსრ გაუქმების შემდეგ) — საქართვ. დეპეშათა სააგენტო (საქდესი), ხოლო 1972-იდან — ს.

ს. საქართვ. რესპ., საოლქო, საქალაქო და რ-ნულ გაზეთებს, ტელევიზიასა და რადიოს სატელეტაიპო არხებით აწვდის მრავალფეროვან ინფორმაციას პარტ., საბჭ., პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ანგარიშებს ეკონ., სოც., კულტ. ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენების თაობაზე. საკდესის არხებით იღებს ინფორმაციას სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნების შესახებ, სსრკ-ში და საზღვარგარეთ ავრცელებს მრავალფეროვან ინფორმაციას საქართვ. რესპუბლიკის შესახებ. აქვს საკორესპონდენტო პუნქტები აფხ. და აჭარის ასსრ-ებში, სამხრ. ოსეთის აო-სა და ცალკეულ რეგიონებში.

ს-ის შემადგენლობაშია 5 მთავარი რედაქცია (რესპ., საკავშ., უცხოეთის, ფოტოინფორმაციისა და მთარგმნელთა), აგრეთვე 5 განყ-ბა. მის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექცია. *ზ. ლომიძე.*

საქირიო, სოფელი ხობის რ-ნში (ხამისკურის სოფსაბჭო), ურთის მთის კალთაზე. ზ. დ. 65 *მ*, ხობიდან 14 *კმ*, ხეთიდან (უახლესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. ა. ყდანოვის სახ. ხამისკურის კოლ-ბა (დაფნის კულტურა; მეციტრუსეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა.

საქ. კპ, იხ. ტ. *საქართველოს სსრ.* თავი საქართველოს კომუნისტური პარტია.

საქ. კპ (ბ) I კონფერენცია, მიმდინარეობდა არალეგალურად 1920 წ. 28 ნოემბ. — 2 დეკ. თბილისში. ესწრებოდა 40 დელეგატი, რ-ებიც 3 ათ-ზე მეტ პარტიის წევრს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: II ინტერნაციონალის კონგრესის შედეგები; პროფკავშირების მუშაობა; საქალაქო და სათემო თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა; პარტ. მუშაობის ფორმების შესახებ. კონფერენციამდე მენშევიკურმა მთავრობამ 1920 წ. 7 მაისს საბჭ. რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების პირობები დაარღვია და მკაცრი ტერორით გაუსწორდა კომუნისტებს, ბევრი დააპატიმრა და საქართველოდან გაასახლა. ამ ვითარებასთან დაკავშირებით კონფერენციას უნდა შეემუშავებინა საქართვ. კომუნისტური პარტიის ბრძოლის ახ. ტაქტიკა; კონფერენციამ გაკიცხა როგორც „მემარცხენენ", ისე „მემარჯვენენ" ოპორტუნისტები, დაგმო ყველა ის, ვინც უარყოფდა ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობას და მხოლოდ არალეგალურ მუშაობას ცნობდა; დაასაბუთა პარტ. მუშაობის როგორც ლეგალური, ისე არალეგალური მეთოდების აუცილებლობა. კონფერენციამ მოიწონა საქართვ. კომ პარტიის დროებითი ცკ-ის საქმიანობა და აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 7 წევრისა და კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ ცკ-ის პრეზიდიუმის თავ-რედ აირჩიეს ორახელაშვილი. კონფერენცია ფაქტობრივად ყრილობის ტოლფასი იყო.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *ე. ქურციკიძე*

საქ. კპ (ბ) I ყრილობა, მიმდინარეობდა 1922 წ. 23 იანვ.—1 თებ. თბილისში. ესწრებოდა 311 დელეგატი, რ-ებიც 14 ათ. პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საერთაშ და საშინაო მდგომარეობა; საქ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტ. და ორგანიზაციული მუშაობა; ანგარიში; პარტია და პროფკავშირები; ახ. ეკონ. პოლიტიკა და საქართველოში მისი განხორციელების პირობები; აგრ. პოლიტიკა; სასურსათო პოლიტიკა და კოოპერაცია; საბჭ. მშენებლობის ამოცანები; ეროვნ. საკითხი; პარტ. მშენებლობის მორიგი საკითხები; პარტიის წმენდის შედეგები; საკონტროლო კომისიის მოხსენება; პარტიის ხელმძღვ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, რკპ (ბ) ცკ-ს და კომინტერნის აღმასკომს. ყრილობის მუშაობაში მთავარი ადგილი დაიკავა ცკ-ის პოლიტ. ორგანიზაციული მუშაობის ანგარიშის გარჩევამ (მომხსენებელი მ. ორახელაშვილი). ეროვნ. საკითხის შესახებ ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა გ. ორჯონიკიძემ. ამ საკითხის შესახებ ყრილობამ მიიღო ნაციონალ-უკლონისტების პოზიციის მთელი მანკიერება და საშიშროება და ცხადყო, რომ ეროვნ. საკითხის სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია ამიერკავკასიის ფედერაციის შეუქმნელად. ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს (მომხსენებელი ფ. მახარაძე) აგრ. რეფორმის გატარებაში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, რაც ხელს უშლიდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას. ყრილობამ შეაჯამა 1921 პარტიის წმენდის შედეგები, გააანალიზა პარტ. სკონტროლო კომისიის მუშაობა და მიუთითა მის დიდ როლზე პარტ. დისციპლინის განმტკიცებაში; აირჩია საქ. კპ (ბ) ცკ 2 წევრისა და 7 კანდიდატის, ცენტრ. საკონტროლო კომისია 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *ს. ჩხარტიშვილი.*

საქ. კპ (ბ) II ყრილობა, მიმდინარეობდა 1923 წ. 14—18 მარტს თბილისში. ესწრებოდა 138 დელეგატი, რ-ებიც 1164 პარტ. წევრსა და წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. რკპ (ბ) ცკ-ის სახელით ყრილობას მიესალმა ვ. კუიბიშევი. ყრილობამ განიხილა საქ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტ. და საორგანიზაციო მუშაობის ანგარიშები, სარევიზიო და ცენტრ. საკონტროლო კომისიების მოხსენებები, პროფკავშირისა და კომკავშირის მუშაობა, აგრ. და ეროვნ. საკითხები. დღის წესრიგის ყველა საკითხი განიხილა რკპ (ბ) X და XI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტ. ანგარიშით ყრილობაზე გამოვიდა მ. ორახელაშვილი, ხოლო საორგანიზაციო მუშაობის შესახებ მ. კახიანი. ყრილობამ მთლიანად მოიწონა ცკ-ის პოლიტ. ხაზი და საორგანიზაციო მუშაობა, განიხილა შ. ელიავას მოხსენება პარტ. და საბჭ. მშენებლობაში ეროვნ. მომენტის შესახებ, დაგმო ნაციონალ-უკლონისტების პოზიცია, ყურადღება გაამახვილა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილ. ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე. აგრ. საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ი. სტურუა. პროფკავშირთა რესპ. საბჭოს მუშაობა ანგარიში გააკეთა გ. ყურალაშვილმა. გა საკუთრებული ყურადღება დაეთმო კავშირის საქმიანობას (მომხსენებელი

ცდარიანი). ყრილობამ მოისმინა თ. ენტის მოხსენება წითელი არმიის ქართ. წილების მშენებლობის შესახებ და სახა ღონისძიებები მათი განმტკიცებითვის. ყრილობამ აირჩია საქ. კპ (ბ) 27 წევრისა და 15 კანდიდატის, ცენტრ. კონტროლო კომისია 7 წევრისა და 3 ნდიდატის შემადგენლობით და სარევიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ- ის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), ., 1971. *ვ. მერკვილაძე.*

ᲡᲙ. ᲙᲑ (ბ) III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარედა 1924 წ. 6—11 მაისს თბილისში. ესებოდა 171 დელეგატი გადამწყვეტი, სათათბირო ხმით, რ-ებიც 10964 პარის წევრსა და 2713 წევრობის კანდიატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: ქ. კპ ცკ-ის ანგარიში (ბ. ლომინაძე); საევიზიო კომისიის ანგარიში; ცენტრ. საკონტროლო კომისიის ანგარიში (შ. ლევა); ეროვნ. პოლიტიკის შედეგები (გ. ონიკიძე); სოფლად მუშაობის შესახებ ვ. მახარაძე); მრეწვ. და სოფ. მეურნეობა (შ. ელიავა); საშინაო ვაჭრობა და მომხმარებლო კოოპერაცია; სას.-სამ. კოპერაცია, ახალგაზრდობას შორის მუშაა (მ. კახიანი); ხელმძღვ. ორგანოების რჩევნები. ყრილობამ სწორად ცნო ცკ-ის ლიტ. ხაზი და ორგანიზაციული მუშაობა.

დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. ყრიობამ მთავარი ყურადღება დაუთმო საურნეო მშენებლობის ამოცანებს, მოიხა პარტიის ეროვნ. პოლიტიკა და პარიის ხელმძღვ. ორგანოებს დაავალა არ ემოფარგლულიყვნენ მიღწეულით, კვლავ ეგრძელებინათ მუშაობა რესპ. შემადნლობაში მყოფ ეროვნ. უმცირესობათა მეურნეო და კულტ. დონის ასამაღლებად. სოფლად მუშაობის შესახებ ყრილომ მიიღო გადაწყვეტილება გლეხობისაგის კრედიტის მიცემის, სას.-სამ. და სამწვ. კოოპერაციაში უღარიბესი გლეხობის ართოდ ჩაბმის აუცილებლობის შესახებ. ხილობამ დასახა დიდმნიშვნელოვანი ონისძიებანი რესპ. სამეურნეო და კულტ. ნვითარებისათვის, იდეოლოგიური მუობის გაძლიერებისა და შინაპარტ. უთანოებათა ლენინურად დაძლევისათვის. ილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 41 წევსა და 17 კანდიდატის, ცენტრ. საკონტრლო კომისია — 25 წევრისა და 8 კანდატის შემადგენლობით, აგრეთვე სარეზიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ- ის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), ., 1971. *ი. კაჭარავა.*

ᲡᲙ. ᲙᲑ (ბ) IV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობა 1925 წ. 30 ნოემბ. — 5 დეკ. თბილისში. წრებოდა 235 დელეგატი გადამწყვეტი 47 — სათათბირო ხმით, რ-ებიც 15027 რტიის წევრსა და 7821 წევრობის კანდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: ქ. კპ (ბ) ცკ-ის ანგარიში (მ. კახიანი); რევიზიო კომისიის ანგარიში; ცენტრ. კონტროლო კომისიის ანგარიში (ა. დოიძე, შ. ლეჟავა); პროფკავშირების ამონების შესახებ; რესპ. მრეწვ. და მისი რსპექტივები (შ. ელიავა); სოფლად მუობა (ფ. მახარაძე); ხელმძღვ. ორგანოეს არჩევნები.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო სპუბლიკაში მრეწვ., უწინარეს ყოვლიმძიმე ინდუსტრ., განვითარების აუციებლობას. ყრილობამ მიიღო დადგენიება ამიერკავკ. სფსრ სახ. მეურნ. უმაღესი საბჭოს შექმნის შესახებ. ყრილობაგანიხილეს აგრეთვე სოფლად მუშაობის ითხი. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ოფკავშირული ორგანიზაციებისა და კკ საქმიანობას. ყრილობამ განიხილა ეხთა ურთიერთდახმარების კომიტეების (გლეხკომების) საქმიანობა, აღნიშუპარტიო გლეხთა კონფერენციების მუობის გაუმჯობესება, რაც მოწმობდა რომელთა პოლიტ. აქტივობის ზრდას. ილობამ აირჩია საქ. კპ (ბ) ცკ 51 წევრისა და 20 კანდიდატის, ცენტრ. საკონტროლო კომისია 38 წევრისა და 4 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე სარევიზიო კომისია. *კ. შელია.*

ᲡᲙ.ᲙᲑ (ბ) V ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა 1927 წ. 12—19 ნოემბ. თბილისში. ესწრებოდა 280 დელეგატი გადამწყვეტი და 163— სათათბირო ხმით, რ-ებიც 20943 პარტიის წევრსა და 11769 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ (ბ) ცკ-ის ანგარიში (მ. კახიანი). საქ. კპ (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ანგარიში (ა. დოლიძე); სოფლად მუშაობის შესახებ (ფ. მახარაძე); სარევიზიო კომისიის ანგარიში; პარტიის ხელმძღვ. ორგანოების არჩევნები.

ყრილობამ შეაჯამა რესპ. მიღწევები სას.-სამ. კოოპერაციის, მრეწველობის, საფინანსო მეურნეობის, საბჭ. ვაჭრობის განვითარებისა და სხვა დარგებში, მოიწონა ცკ-ის პოლიტ. და საორგანიზაციო მუშაობა, მისი სამეურნ. პოლიტიკა. ამასთან ყურადღება მიაქცია სამეურნ. ცხოვრებაში არსებულ ხარვეზებს და დაავალა ცკ-ს მიეღო ზომები მათი აღმოფხვრისათვის. სერიოზული ყურადღება დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის, ქართ. მწერლობის განვითარების საკითხებს, ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობას და სხვ.

ყრილობამ დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტ. ბლოკი, მის ჭართვ. მიმდევართა ფრაქციული საქმიანობა და პარტიიდან გარიცხა ადგილ. ოპოზიციის ლიდერები. ცკ-ს დაევალა გადაჭრით ებრძოლა ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობის დაცვისათვის. საქ. კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ხაზი გაესვა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებისადმი პარტ. ხელმძღვანელობის გაძლიერების, უყაირათობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. სოფლად მუშაობის თაობაზე მოხსენებაში გაშუქებულ იქნა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მრეწვ. და სოფ. მეურნ., ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხები. ყრილობამ აირჩია საქ. კპ (ბ) ცკ 78 წევრისა და 40 კანდიდატის, ცენტრ. საკონტროლო კომისია 87 წევრისა და 40 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე საკ. კპ (ბ) XV ყრილობის დელეგატები.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *ლ. თოიძე.*

ᲡᲙ. ᲙᲑ (ბ) VI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა 1929 წ. 1—10 ივლ. თბილისში. ესწრებოდა 394 დელეგატი გადამწყვეტი და 130— სათათბირო ხმით, რ-ებიც 26181 პარტიის წევრსა და 12970 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ (ბ) ცკ-ის, სარევიზიო კომისიის, ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ანგარიშები; საქ. სსრ სახ. მეურნ. განვითარების ხუთწლიანი გეგმა; სოფ. მეურნ. განვითარების გზები საქართველოში და სოფლად მუშაობა; სამანდატო კომისიის მოხსენება; პარტიის ხელმძღვ. ორგანოების არჩევნები. საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს მ. კახიანმა და გ. სტურუამ, სხვა საკითხებზე მომხსენებლები იყვნენ ფ. მახარაძე და ლ. ღოღობერიძე. ყრილობამ შეაჯამა საანგარიშო პერიოდში ცკ-ის მიერ გაწეული მუშაობა და მთლიანად და საკუსებით მოიწონა მისი პოლიტ. და ორგანიზაციული ხაზი. ყრილობამ დაამტკიცა საქ. სსრ სახ. მეურნ. განვითარების I ხუთწლიანი გეგმა. მიზნად დასახა სოციალ. ინდუსტრ., განსაკუთრებით ელექტრიფიკაციისა და სამთო-მომწოდებელი მრეწვ. განვითარების ტემპის განუხრელი დაჩქარება. ყრილობამ გააანალიზა სოფ. მეურნ. მდგომარეობა და ხაზი გაუსვა, რომ სოფლად პარტიის ძირითადი ამოცანაა წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების გაერთიანება მსხვილ კოლექტივებად: აღნიშნა ნაკლოვანებანი საქართვ. საკოლმ. მშენებლობის დარგში და დასახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი. ყრილობაზე განიხილეს ეროვნ. საკითხი, სერიოზული ყურადღება დაუთმეს კომკავშირისადმი პარტ. ხელმძღვანელობის, ქალთა შორის მუშაობის, პარტიაში მათი მიღების, წარმოებაში ჩაბმის, პასუხსაგებ სამუშაოზე დაწინაურების და სხვ. საკითხებს. ყრილობამ აირჩია საქ. კპ (ბ) ცკ 87 წევრისა და 42 კანდიდატის, ცენტრ. საკონტროლო კომისია 136 წევრის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)VI ყრილობა (1929 წ. 1—10 ივლისი). სტენოგრ. ანგარიში, ტფ., 1929; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *გ. დევდარიანი.*

ᲡᲙ. ᲙᲑ (ბ) VII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა 1930 წ. 28 მაისი—5 ივნ. თბილისში. ესწრებოდა 261 დელეგატი გადამწყვეტი და 137 — სათათბირო ხმით, რ-ებიც 20016 პარტიის წევრსა და 13422 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ის (ლ. ღოღობერიძე), სარევიზიო კომისიის (ი. ჭელიძე), საქ. კპ(ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის (ვ. ივანოვ-კავკაზსკი) ანგარიშები; საქართველოში საკოლმ. მშენებლობის პერსპექტივებისა და საგაზაფხულო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულების შესახებ (ფ. მახარაძე); სამანდატო კომისიის ანგარიში; პარტიის ხელმძღვ. ორგანოების არჩევნები. საქ. კპ (ბ) ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში გაანალიზებული იყო საანგარიშო პერიოდში მუშაობის შედეგები. მიღწევებთან ერთად აღინიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რ-თაც ადგილი ჰქონდა პარტ., საბჭ. და საკოლმ. ორგანიზაციების საქმიანობაში. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა გადაჭრით განხორციელდეს ამიერკავკ. სფსრ ეკონ. საფუძვლის ყოველნაირად განმტკიცების პოლიტიკა; ამასთან პარტორგანიზაციებს დაეკალათ ულმობლად ებრძოლათ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ყრილობის მუშაობაში ცენტრ. ადგილი დაიკავა საკოლმ. მშენებლობის საკითხებმა. განიხილეს აგრეთვე სახელმწ. აპარატის საქმიანობის გარდაქმნის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერების და სხვ. საკითხები. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 65 წევრისა და 22 კანდიდატის, ცენტრ. საკონტროლო კომისია 109 წევრის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *კ. დოლიძე.*

ᲡᲙ. ᲙᲑ(ბ) VIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა 1932 წ. 20—24 იანვ. თბილისში. ესწრებოდა 422 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რ-ებიც 31634 პარტიის წევრსა და 19948 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში; ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მოხსენება; არჩევნები. ყრილობამ შეაჯამა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა მრეწვ., ტრანსპ., სოფ. მეურნ., კოოპ. შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები. ყრილობამ დასახა რესპ. ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების კონკრ. ღონისძიებანი, კერძოდ: 1932 დამლევისათვის უნდა დამთავრებულიყო რიონჰესის მშენებლობა, მწყობრში უნდა ჩამდგარიყო ტყვარჩელის ქვანახშირის შახტების პირველი რიგი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნის II რიგი და მთელი რიგი სხვა ობიექტები. ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო სოფ. მეურნ. საკითხები. მის გადაწყვეტილებაში მოცემული იყო საკოლმ. მშენებლობის ძირითადი ამოცანები. განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა კოლ-ბათა

საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტ. განმტკიცება, მათი სპეციალიზაცია სას.-სამ. კულტურების დარგში; დიდი ყურადღება დაეთმო კოლ-ბათა ტექ. აღჭურვას. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ პარტ. მუშაობის სიმძიმის ცენტრი ძირეულ რგოლში უნდა გადაეტანათ და სოფლის პარტორგანიზაციები განემტკიცებინათ. ყრილობამ ცენტრ. საკონტროლო კომისიის-მუშგლეხინის პოლიტ. ხაზი ცნო სწორად, ხოლო პრაქტ. საქმიანობა—დამაკმაყოფილებლად. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 71 წევრისა და 23 კანდიდატის, ცენტრ. საკონტროლო კომისია 115 წევრისა და სარევიზიო კომისია 3 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *ა. გუკასიანი.*

საქ. კპ(ბ) IX ყრილობა, მიმდინარეობდა 1934 წ. 10—14 იანვ. თბილისში. ესწრებოდა 573 დელეგატი გადამწყვეტი და 112 სათათბირო ხმით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 48431 წევრსა და წევრობის კანდიდატს. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში; საქ. კპ(ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის—მუშგლეხინის ანგარიში; სარევიზიო კომისიის ანგარიში; ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევნები. ცკ-ის ანგარიშში შეჯამებული იყო საქართვ. პარტ. ორგანიზაციების მუშაობის შედეგები. მასში დიდი ადგილი დაეთმო საქართვ. ინდუსტრ. განვითარების საკითხებს. აღინიშნა, რომ მრეწვ. წილმა რესპ. სახ. მეურნეობაში საერთო პროდუქციის 60%-ს მიაღწია. საქ. პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობდა მშრომელი გლეხობისადმი პოლიტ. ხელმძღვანელობის განმტკიცებასა და სოფ. მეურნ. რენტაბელური დარგების განვითარებას. ყრილობამ ხაზი გაუსვა მტს-ებთან და საბჭ. მეურნეობებთან შექმნილი პოლიტ. განყ-ბების როლს საწარმოების, კოლ-ბებისა და საბჭ. მეურნეობებისადმი პარტ. ხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეში. ყრილობამ ფართოდ გააშუქა იდეოლოგიური და შინაპარტ. მუშაობის საკითხები, კულტ. მშენებლობის მიმართულებანი. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 102 წევრისა და 40 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 11 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობა, სტენოგრ. ანგარიში, ტფ., 1934; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *მ. ჯიჯეიშვილი.*

საქ. კპ(ბ) X ყრილობა, მიმდინარეობდა 1937 წ. 15—21 მაისს თბილისში. ესწრებოდა 540 დელეგატი გადამწყვეტი და 82 — სათათბირო ხმით, რ-ებიც 43034 პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევნები. ყრილობის შემადგენლობა ცხადყოფდა საანგარიშო პერიოდში საქ. პარტორგანიზაციებში მომხდარ ცვლილებებს. დელეგატთა ნახევარზე მეტს მუშები შეადგენდნენ, გაიზარდა გლეხ დელეგატთა რაოდენობაც. დელეგატთა ნახევარზე მეტი პირველად იყო არჩეული. ყრილობაზე 15-მდე ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობდა. აქ შეჯამდა რესპ. პარტორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში სამეურნეო და კულტ. მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი. II ხუთწლედში საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრ. რესპუბლიკად. მწყობრში ჩადგა ათასობით ახ. საწარმო. საქართველოში ლენინური კოოპ. გეგმის განხორციელების საფუძველზე გაიზარდა და განმტკიცდა კოლ-ბები, რ-ებშიც გაერთიანებული იყო გლეხთა მეურნეობების 75,8% (ნაცვლად 1933 წ. 36,3%-ისა). დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული სას.-სამ. კულტურების—ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოს და სხვათა განვითარებაში. გაიზარდა მარცვლეული კულტურებისათვის გამოყოფილი ფართობი, წარმატებით განვითარდა მეცხოველეობა. მრეწვ. და სოფ. მეურნ. განუხრელმა ზრდამ განაპირობა მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. ამასთანავე ყრილობამ გამოავლინა პარტ.-პოლიტ. მუშაობისა და საბჭოებისა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობისადმი პარტ. ხელმძღვანელობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ყრილობამ მოიწონა საქ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტ. ხაზი და პრაქტ. მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო ვრცელი რეზოლუცია, რ-შიც დასახული იყო რესპ. პარტორგანიზაციების ძირითადი ამოცანები რესპ. ეკონ. და პოლიტ. ცხოვრების ყველა დარგში. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 75 წევრისა და 25 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 7 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *გ. ჟვანია.*

საქ. კპ(ბ) XI ყრილობა, მიმდინარეობდა 1938 წ. 15—19 ივნ. თბილისში. ყრილობას ესწრებოდა 534 დელეგატი გადამწყვეტი და 100 სათათბირო ხმით, რ-ებიც 29977 პარტიის წევრსა და 11436 კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში; სარევიზიო კომისიის ანგარიში; ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ საქ. კპ(ბ) ცკ-ის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტ. ხაზი მიიჩნია სწორად, დასახა სამეურნეო და კულტ. მშენებლობის პრაქტ. ამოცანები. ყრილობაზე აღინიშნა მნიშვნელოვანი წარმატებანი საკოლმ. მშენებლობაში; გლეხობა პრაქტიკულად დარწმუნდა კოლ-ბათა უპირატესობაში. კოლ-ბების ორგანიზაციულმა განმტკიცებამ, სას.-სამ. ტექ. ფართოდ გამოყენებამ ხელი შეუწყო მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, ჭარხლის, ყურძნის, ხილისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, კოლმეურნე გლეხობის მატერ. კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამასთანავე ყრილობამ პარტორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭირო იყო აღმოეფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი საკოლმ. მშენებლობაში. ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო კომკავშირისადმი პარტ. ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხებს. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 61 წევრისა და 17 კანდიდატის, აგრეთვე სარევიზიო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობა, სტენოგრ. ანგარიში, თბ., 1938; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *გ. საითიძე.*

საქ. კპ(ბ) XII (რიგგარეშე) ყრილობა, მიმდინარეობდა 1939 წ. 26 თებ.—2 მარტს თბილისში. ესწრებოდა 501 დელეგატი გადამწყვეტი და 135-სათათბირო ხმით, რ-ებიც 38749 პარტიის წევრსა და 24191 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: თეზისები საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის მოხსენებისა სსრკ სახ. მეურნ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ (კ. ჩარკვიანი); თეზისები საკ. კპ(ბ) XVIII ყრილობის, მოხსენებისა საკ კპ(ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ (კ. შეროზია); საკ. კპ(ბ) XVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნები. სსრკ სახ. მეურნ. განვითარების III ხუთწლიანი გეგმის შესახებ თეზისებში განსაზღვრული იყო 1938—42 წლების კონკრ. ამოცანები. ყრილობამ მთავარი ყურადღება მიაქცია რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის განვითარებას, შეაჯამა ამ თეზისების საყოველთაო სახ. განხილვის შედეგები, ერთსულოვნად მოიწონა იგი და დასახა საქ. სსრ სახ. მეურნ. განვითარების III ხუთწლედის ძირითადი ამოცანები. ყრილობამ მთავარი ყურადღება მიაქცია მანქანათმშ. განვითარებას, გაითვალისწინა მძიმე მრეწვ. მზარდი მოთხოვნილება ენერგეტ. რესურსებზე და სერიოზული ყურადღება დაუთმო ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხს. გეგმა ითვალისწინებდა რესპ. ელექტროსადგურების სიმძლავრეთა გადიდებას 35-ჯერ. დიდი ამოცანები დაისახა რესპ. სოფ. მეურნ. განვითარების საქმეში. დღის წესრიგის II საკითხზე მოსხენებაში გაშუქდა თეზისები ძირითადი დებულებები და ანალიზი გაუკეთდა იმ წინადადებებსა და მოსაზრებებს, რ-ებიც წამოაყენეს თეზისების განხილვისას დახურულ პარტ. კრებებსა და რ-ნულ პარტ. კონფერენციებზე. ყრილობა ერთსულოვნად მოიწონა თეზისები; აირჩია საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის დელეგატები (51 კაცი).

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *ი. ჩიქავა.*

საქ. კპ(ბ) XIII ყრილობა, მიმდინარეობდა 1939 წ. 15—19 მარტს თბილისში. ესწრებოდა 555 დელეგატი გადამწყვეტი, 157 — სათათბირო ხმით, რ-ებიც 5463 პარტიის წევრსა და 36371 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართვ. მშრომელებმა დიდ წარმატებით შეასრულეს III ხუთწლედის მეორე წლის სამრეწვ. მშენებლობის გეგმა. მწყობრში ჩადგა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, ბათ. ციტრუსების კომბინატი, ქუთ. ლითოფიანის ქ-ნა და სხვ. მძიმე მრეწვ. პროდუქციის მოცულობა 2 წელიწადში 25%-ით გაიზარდა. მრეწვ. მთლიანი პროდუქცია 1938 წლის წელთან შედარებით 18,6%-ით გადიდა, 1939 ქვანახშირის ამოღების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ყრილობამ გაიზიარა საკუთრებული ყურადღება დაუთმო მანგანუმის მრეწვ. ჩამორჩენის ლიკვიდაციის საკითხსა და ცკ-ს დაავალა დაესახა მანგანუმის მრეწვ. მუშაობის ძირეულად გაჯანსაღების ღონისძიებანი. ყრილობაზე აღნიშნა მნიშვნელოვანი ძვრები რესპ. სოფ. მეურნ. განვითარებაში, მაღრამ გამოითქვა კრიტ. შენიშვნებიც. რესპ. სოფ. მეურნეობას სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა; ძალზე დაბალი იყო კოლმეურნეობათა ანაზღაურება, მთიან რ-ნებში ნელი ტემპით ვითარდებოდა მეცხოველეობა. აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აფასებდნენ მარცვლეულის მნიშვნელობას რესპ. სას.-სამ. წარმოების სრული ერთობა აღმავლობაში. ყრილობამ პარტორგანიზაციებს დაუსახა ამოცანა — უახლოეს ხანში აღმოეფხვრათ მარცვლეულის მეურნეობის ჩამორჩენა. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 65 წევრისა და 25 კანდიდატის, აგრეთვე სარევიზიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *ი. ჩიქავა.*

საქ. კპ(ბ) XIV ყრილობა, მიმდინარეობდა 1949 წ. 25—29 იანვ. თბილისში. ესწრებოდა 64269 დელეგატი გადამწყვეტი და 83 — სათათბირო ხმით, რ-ებიც 1481[illegible] პარტიის წევრსა და 18230 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში (კ. ჩარკვიანი); სარევიზიო კომისიის ანგარიში (კ. თარგამაძე), ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ საქ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტ. ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული საქმიანობა—დამაკმაყოფილებლად; დაამტკიცა საქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში; შეაჯამა რესპ. პარტორგანიზაციის უდიდესი მუშაობა დიდი სამამულო ომის წლებსა და ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი 3 წლის განმავლობაში. ყრილობამ გააანალიზა რესპ. ქვანახშირის, ენერგეტ. და მანგანუმის მრეწველობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. მსჯელობა იყო რუსთავის მეტალურ., ქუთ. საავტ. ქ-ნები


სამხრეთი ამერიკა
პოლიტიკური რუკა



Оперативная карта наступления войск 3-й ударной армии и 19-й армии с 19 по 23 ноября 1942 г.

1:2 700 000

Составлена в Генеральном штабе Красной Армии


Сталинград
Калач
Советский
Бекетовка
Песчанка
Ерзовка
Орловка
Гумрак
Верхняя Елшанка
Нижняя Елшанка
Дубовый Умет
Большой Царицын
Малый Царицын
Сарепта
Красная Сарепта
Бекетовский
Ивановка
Ивановский
Ерзовский
Ерзовская
Ерзовский конный завод
Ерзовский конный завод № 2
Ерзовский конный завод № 10
Ерзовский конный завод № 9
Ерзовский конный завод № 12
Ерзовский конный завод № 16
Ерзовский конный завод № 25
Ерзовский конный завод № 21
Ерзовский конный завод № 24
Ерзовский конный завод № 23
Ерзовский конный завод № 22
Ерзовский конный завод № 20
Ерзовский конный завод № 19
Ерзовский конный завод № 18
Ерзовский конный завод № 17
Ерзовский конный завод № 16
Ерзовский конный завод № 15
Ерзовский конный завод № 14
Ерзовский конный завод № 13
Ерзовский конный завод № 12
Ерзовский конный завод № 11
Ерзовский конный завод № 10
Ерзовский конный завод № 9
Ерзовский конный завод № 8
Ерзовский конный завод № 7
Ерзовский конный завод № 6
Ерзовский конный завод № 5
Ерзовский конный завод № 4
Ерзовский конный завод № 3
Ерзовский конный завод № 2
Ерзовский конный завод № 1
Ерзовский конный завод № 0
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 0000
Ерзовский конный завод № 00000
Ерзовский конный завод № 000000
Ерзовский конный завод № 0000000
Ерзовский конный завод № 00000000
Ерзовский конный завод № 000000000
Ерзовский конный завод № 0000000000
Ерзовский конный завод № 00000000000
Ерзовский конный завод № 000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 0000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный завод № 00
Ерзовский конный завод № 000
Ерзовский конный зав

ა გორის ბამბეულის კომბინატის მშენებ-
ობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის ამოცა-
ებზე. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ყვე-
ა სას.-სამ. კულტ. მოსაფლიანობის გა-
ზრდება, მძიმე შრომატევად სამუშაოთა
ექანიზაცია, პირუტყვის ჯიშობრივი
ემადგენლობის გაუმჯობესება და მტკიცე
აკვები ბაზის შექმნა, სას.-სამ. არტელის
ესდების დარღვევათა ლიკვიდაციისათ-
ის ბრძოლის გაძლიერება, საკოლმ. ქო-
ების დაცვა, სკოლმ. დემოკრატიის პრინ-
იპების განუხრელად განხორციელება,
ველა შრომისუნარიანი კოლმეურნის მი-
ერ შრომადღეების სავალდებულო მინი-
უმის შესრულება და სხვ. ყრილობამ პარტ-
რგანიზაციებს დააკალა მტკიცედ მოე-
იდათ ხელი სოფლის ელექტრიფიკაციი-
ათვის. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ
5 წევრისა და 36 კანდიდატის, სარევიზიო
ომისია 19 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ-
ტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970),
ბ., 1971. *შ. თეთვაძე.*

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ(Ბ) XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობ-
და 1952 წ. 15—18 სექტ. თბილისში. ეს-
რებოდა 693 დელეგატი გადამწყვეტი და
2 — სათათბირო ხმით, რ-ებიც 160045
არტიის წევრსა და 13253 წევრობის კან-
იდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი:
აქ. კპ(ბ) ცკ-ის ანგარიში (ა. მგელაძე),
არევიზიო კომისიის ანგარიში (ა. გიორგა-
ე); „საკ კპ(ბ) XIX ყრილობის დირექტივე-
ი სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1951—55
წწ. V ხუთწლიანი გეგმის შესახებ" პრო-
ექტის განხილვა, საკ. კპ (ბ) შეცვლილი
ესდების ტექსტის პროექტის განხილვა;
ელმძღვ. ორგანოების არჩევნები. ყრი-
ობაზე აღინიშნა, რომ რესპ. მშრომელთა
დიდესი მიღწევა იყო რუსთავის მეტალ.
-ნის აგება, ქუთ. ავტოქ-ნის ამუშავება.
მასთანავე გამოითქვა კრიტ. შენიშვნები
ესპ. ეკონ. და კულტ. განვითარებაში,
ღინიშნა, რომ მთელმა რიგმა (317)
სტვილმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს
ახელმწ. დაკალება. ყრილობამ დასახა
რეწველობაში არსებულ ნაკლოვანებათა
ალძლევის გზები, დიდი ყურადღება და-
თმო სოფ. მეურნ. განვითარების საკი-
ხებს; აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი მიღ-
ევებია მოპოვებული ჩაის, ციტრუსების,
ამბაჭოს, მევენახეობის, მებოლეობის და
ხვა ტექ. კულტურების განვითარებაში,
აგრამ აქვე მიუთითა სერიოზულ ნაკლო-
ანებებზე მეცხოველეობის დარგში. ყრი-
ობამ განიხილა და ერთსულოვნად მოი-
ონა საკ. კპ(ბ) ცკ-ის მიერ შემუშავებული
როექტი პარტიის XIX ყრილობის დირექ-
ივებისა სსრკ სახ. მეურნ. განვითარების
951—55 წწ. V ხუთწლიანი გეგმის შესა-
ებ და პარტიის შეცვლილი წესდების პრო-
ექტი. ყრილობამ აირჩია საქ. კპ(ბ) ცკ 77
ევრისა და 37 კანდიდატის, სარევიზიო
ომისია 19 წევრის შემადგენლობით და
აკ. კპ(ბ) XIX ყრილობის დელეგატები
38 კაცი).

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ-
ტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970),
ბ., 1971. *შ. თეთვაძე.*

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ XVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა
954 წ. 16—18 თებ. თბილისში. ესწრებო-
ა 723 დელეგატი გადამწყვეტი და 32 —
ათათბირო ხმით, რ-ებიც 167046 პარტიის
ევრსა და 9437 წევრობის კანდიდატს წარ-
ოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ-ის
ანგარიშო მოხსენება (ვ. მჟავანაძე),
არევიზიო კომისიის ანგარიში (ა. გიორ-
აძე), პარტიის ხელმძღვ. ორგანოების
რჩევნები. ყრილობამ შეაჯამა სკკპ და
თავრობის დირექტივების შესრულებისა-
ვის საქართვ. კომუნისტების, რესპ. მშრო-
ელთა მიერ XV ყრილობის შემდეგ გა-
ელილ პერიოდში გაწეული მუშაობის შე-
ეგები და დასახა ახ. ამოცანები რესპ.
ახ. მეურნ. და კულტ. შემდგომი წინსვლა-
ანვითარებისათვის. ყრილობამ გააანა-
ღიზა საქ. კომპარტიის საქმიანობა. სახ.
ეურნ. ხელმძღვანელობაში. საქ. პარტ.
ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა
გასწიეს სოფ. მეურნ. ყველა დარგის ამალ-
ებისათვის. ამასთანავე ყრილობამ გა-
მოავლინა საქართვ. უდიდესი სამრეწვ. სა-
წარმოების — რუსთავის მეტალ. ქ-ნის,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნის, ქუთ.
საავტ. ქ-ნის მუშაობაში არსებული სერი-
ოზული ნაკლოვანებანი და დასახა ღონის-
ძიებები მათ აღმოსაფხვრელად. ყრი-
ლობის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგი-
ლი დაიკავა სოციალ. კანონიერების დარ-
ღვევათა ლიკვიდაციის საკითხმა. ყრი-
ლობამ მოსთხოვა პარტ. ორგანიზაციებს
გადაჭრით გაეუმჯობესებინათ იდეოლ. მუ-
შაობა შემოქმედებით ორგანიზაციებსა
და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებში, უზ-
რუნველეყოთ იდეოლოგიური მუშაობის
უმჭიდროესი კავშირი ცხოვრებასთან. კო-
მუნისტური მშენებლობის პრაქტ. ამოცა-
ნებთან.

ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 79 წევრი-
სა და 39 კანდიდატის, სარევიზიო კომისია
21 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ-
ტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970),
თბ., 1971. *ა. კელენჯერიძე.*

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ XVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობ-
და 1956 წ. 18—21 იანვ. თბილისში. ესწ-
რებოდა 765 დელეგატი გადამწყვეტი, 24—
სათათბირო ხმით, რ-ებიც 176577 პარტი-
ის წევრსა და 8647 წევრობის კანდიდატს
წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ
ცკ-ის საანგარიშო მოხსენება (ვ. მჟავანა-
ძე); სკკპ XX ყრილობის დირექტივების
პროექტი — სსრკ სახ. მეურნ. განვითარე-
ბის 1956—60 წწ. ხუთწლიანი გეგმის შე-
სახებ (გ. ჯაჯახიშვილი); სარევიზიო კო-
მისიის ანგარიში; ხელმძღვ. პარტ. ორგა-
ნოების არჩევნები. ყრილობაზე აღინიშნა,
რომ საქ. პარტორგანიზაციამ ერთგვარ
წარმატებებს მიაღწია სოციალ. მრეწვ.
განვითარებაში. რესპ. საწარმოებმა ძი-
რითადად ვადამდე შეასრულეს V ხუთწლი-
ანი გეგმის სახელმწ. დავალება და სამ-
რეწვ. წარმოების დასახულ დონეს მიაღ-
წიეს. ამასთანაეე ყრილობამ მიუთითა სე-
რიოზულ ნაკლოვანებებზე ტექ. პროგრე-
სის განხორციელებაში, ცალკეულ საწარ-
მოთა მიერ სავეგმო დავალებების შესრუ-
ლებაში. ყრილობის დელეგატებმა გააკრი-
ტიკეს რესპ. სოფ. მეურნ. მდგომარეობა,
განსაკუთრებით მეცხოველეობა. აღინიშ-
ნა, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნე-
ლოვანი მუშაობა ჩატარდა მშრომელთა მა-
ტერ. კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.
ნაკლოვანებები იყო საბინაო მშენებლობა-
ში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ვაჭ-
რობის ორგანიზაციაში, სამედ. მომსახუ-
რებაში, სასამართლოს, პროკურატურისა
და მილიციის ორგანოების მუშაობაში.
ყრილობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთ-
მო რესპ. უმაღლესი სასწავლებლების, სა-
მეცნ. შემოქმედებითი ორგანიზაციების,
მასობრივი ინფორმაციის ორგანოების მუ-
შაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. საქ.
კპ ცკ-ს, საოლქო, საქალაქო და რ-ნულ
კომიტეტებს დაევალათ თანამედროვე მოთ-
ხოვნათა დონემდე აეყვანათ პარტ.-პოლიტ.
და საორგანიზაციო მუშაობა. ყრილობამ
ერთსულოვნად მოიწონა და მხურვალედ
დაუჭირა მხარი სკკპ XX ყრილობის დი-
რექტივების პროექტს სსრკ სახ. მეურნ.
განვითარების VI ხუთწლიანი გეგმის შე-
სახებ. ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 89
წევრისა და 43 კანდიდატის შემადგენლო-
ბით, აგრეთვე სარევიზიო კომისია და სკკპ
XX ყრილობის დელეგატები.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ-
ტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970),
თბ., 1971. *დ. ჯიბლაძე.*

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ XVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობ-
და 1958 წ. 27—29 იანვ. თბილისში. ესწ-
რებოდა 813 დელეგატი გადამწყვეტი და
27 სათბირო ხმით, რ-ებიც 189257 პარ-
ტიის წევრსა და 7529 წევრობის კანდიდატს
წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ
ცკ-ის ანგარიში (ვ. მჟავანაძე); სარევი-
ზიო კომისიის ანგარიში (დ. გელაშვი-
ლი); ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევ-
ნები. ყრილობამ გააანალიზა საანგარიშო
პერიოდში კომპარტიის საქმიანობის შედე-
გები და განსაზღვრა რესპ. პარტორგანი-
ზაციების უახლოესი წლების ამოცანები.
აღნიშნა, რომ კოლმეურნეებმა, მტს-ებმა
და საბჭ. მეურნეობებმა გაადიდეს სოფ.
მეურნ. უმნიშვნელოვანეს პროდუქტთა წარ-
მოება და დამზადება, რამდენადმე გაზარ-
დეს საზ. მეცხოველეობის პროდუქტიუ-
ლობა, კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი
და განუყოფელი ფონდები. აღინიშნა მრეწ-
ველობაში, ტრანსპორტში, კავშირგაბმუ-
ლობასა და მშენებლობაში არსებული ნაკ-
ლოვანებები. ყრილობამ განსაკუთრებული
ყურადღება დაუთმო პარტორგანიზაციების
იდეოლოგიურ მუშაობის გაუმჯობესების
საკითხებს. აღინიშნა, რომ რესპ. პარტ.
ორგანიზაციები უკეთ უნდა წარმართავდნენ
მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების
შემოწმებას, კადრების შერჩევასა და აღზ-
რდას, კომუნისტების განაწილებას წარ-
მოების გადამწყვეტ უბნებზე; უფრო მეტ
ყურადღებას უნდა უთმობდნენ პარტიის
რიგების ზრდას მუშათა და კოლმეურნე-
თა ხარჯზე. ამასთან, ყრილობამ საჭიროდ
მიიჩნია პარტ. მშენებლობის მკვეთრი
გაუმჯობესება, მისი მჭიდროდ დაკავში-
რება პარტიის ამოცანების, კომუნისტური
მშენებლობის პრაქტ. საკითხების გადაწყ-
ვეტასთან. ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ
101 წევრისა და 51 კანდიდატის, სარევიზიო
კომისია 38 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ-
ტიის ისტორიის ნარკვევები (1883 — 1970),
თბ., 1971. *შ. თეთვაძე.*

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ XIX (ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲔ) ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ,
მიმდინარეობდა 1959 წ. 12—13 იანვ. თბი-
ლისში. ესწრებოდა 806 დელეგატი გადა-
მწყვეტი და 43 სათათბირო ხმით, რ-ებიც
194415 პარტიის წევრსა და 8571 წევრო-
ბის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წე-
სრიგი: თეზისები მოხსენებისა სკკპ XXI
ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მე-
ურნეობის განვითარების 1959—65 წლების
საკონტროლო ციფრები" და საქართვ. პარტ.
ორგანიზაციის ამოცანები (ვ. მჟავანა-
ძე), სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობის დე-
ლეგატთა არჩევნები.

სსრკ კომუნისტური პარტიის გეგმები
ზომავალი შვიდწლედისათვის ითვალის-
წინებდა როგორც მთელი ქვეყნის, ისე
ველა მაკავშირე რესპუბლიკის, მ. შ.
საბჭ. საქართველოს სახ. მეურნ. წინსვ-
ლას. მათში მოცემული იყო საქართვ.
მრეწვ., ტრანსპ., სოფ. მეურნ. აღმავლო-
ბის, მეცნ., ტექ. და კულტ. აყვავების,
მშრომელთა მატერ. დონის შემდგომი გა-
უმჯობესების პროგრამა. ყრილობამ ერთ-
სულოვნად მოიწონა სკკპ ცკ-ის თეზისე-
ბი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის
განვითარების 1959—65 წლების საკონტ-
როლო ციფრების" შესახებ. ყრილობაზე
აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები და
შეცდომები, რ-ებსაც ადგილი ჰქონდა რესპ.
სახ. მეურნ. და კულტ. განვითარებაში,
პარტ., საბჭ. და სამეურნეო ორგანოების
მუშაობაში, კადრების შერჩევა-განაწი-
ლებასა და აღზრდაში და სხვ. არსებულ
ნაკლოვანებებს არ შეიძლებოდა თავისი
უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სახ.
მეურნ. განვითარების (1959—65 წწ.)
ამოცანების განხორციელებისათვის რესპ.
პარტ. ორგანიზაციის ბრძოლაზე, შვიდ-
წლიანი გეგმების შესრულებაზე. ყრილო-
ბამ აირჩია სკკპ XXI რიგგარეშე ყრილო-
ბის დელეგატები.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარ-
ტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970),
თბ., 1971. *გ. ფირცხალავა.*

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა
1960 წ. 25—26 იანვ. თბილისში. ესწრე-
ბოდა 850 დელეგატი გადამწყვეტი და 46
სათათბირო ხმით, რ-ებიც 199651 პარტიის
წევრსა და 8903 წევრობის კანდიდატს წარ-
მოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ

ის ანგრიში (ვ. მჟავანაძე), სარევიზიო კომისიის ანგარიში (დ. გელაშვილი), ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევნები.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში რესპ. მშრომელებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სოციალ. ინდუსტრიალიზაციის განვითარებაში. შეიქმნა მრეწვ. ახ. დარგები — ელექტროტექნ. და ხელსაწყოთმშენებელი, მწყობრში ჩადგა 92 ახ. საწარმო. საექსპლუატაციოდ გადაეცა გუმათჰესი-1, ჩაის ფ-კები და სხვ. მაგრამ მრეწვ., ტრანსპ. და კავშირგაბმ. მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. რესპ. მთელმა რიგმა სამრეწვ. საწარმოებმა ვერ შეასრულეს სახელმწ. გეგმა. ყრილობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სოფ. მეურნ. განვითარების საკითხებს. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები სოფ. მეურნ. პროდუქციის წარმოების გასადიდებლად, ამასთან, აღინიშნა სოფ. მეურნეობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და დაისახა კონკრ. ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. ყრილობაზე განიხილეს აგრეთვე იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 111 წევრისა და 55 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 47 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები (მოკლე ცნობარი), თბ., 1970; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *შ. თეთვაძე.*

საქ. კპ XXI ყრილობა, მიმდინარეობდა 1961 წ. 27—29 სექტ. თბილისში. ესწრებოდა 1115 დელეგატი გადამწყვეტი და 57 სათათბირო ხმით, რ-ებიც 212104 პარტიის წევრსა და 9722 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ-ის ანგარიში (ვ. მჟავანაძე), სარევიზიო კომისიის ანგარიში (თ. აბაშმაძე); სკკპ პროგრამის პროექტის განხილვა (გ. ჯავახიშვილი); სკკპ წესდების პროექტის განხილვა (პ. კოვანოვი); პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ყრილობამ შეაჯამა საქ. პარტორგანიზაციების საქმიანობის, რესპ. ეკონ. და კულტ. შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის შედეგები. აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ამუშავდა 23 ახ. სამრეწვ. საწარმო და მსხვილი საამქრო. გაკეთდა 56 ნიშუშის ახ. მანქანა, აპარატები და ხელსაწყოები, მ. შ. ელმავალი ტ-8, ჩაის საკრეფი მანქანები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტროტექნ. მრეწვ. ნაკეთობანი და სხვ.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო სოფ. მეურნ. განვითარების საკითხებს. აღინიშნა, რომ პარტ. ორგანიზაციებმა მიაღწიეს სოფ. მეურნ. ყველა დარგის, პირველ რიგში მეჩაიეობის, მევენახეობის, მეთამბაქოეობის, მეხილეობის შემდგომ აღმავლობას. ყრილობამ ფართოდ განიხილა კულტ. მშენებლობის, იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, ერთსულოვნად მოიწონა სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები, ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 111 წევრისა და 55 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 47 წევრის შემადგენლობით და სკკპ XXII ყრილობის დელეგატები.

ლიტ.: საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები (მოკლე ცნობარი), თბ., 1970; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *შ. თეთვაძე.*

საქ. კპ XXII ყრილობა, მიმდინარეობდა 1964 წ. 29—30 იანვ. თბილისში. ესწრებოდა 918 დელეგატი გადამწყვეტი და 50 სათათბირო ხმით, რ-ებიც 238591 კომუნისტს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ-ის ანგარიში (ვ. მჟავანაძე); საქ. კპ ცკ-ის სარევიზიო კომისიის ანგარიში; ხელმძღვ. პარტ. ორგანოების არჩევნები. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდი მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდებოდა. რესპუბლიკაში საექსპლუატაციოდ გადაეცა დაახლ. 50 მსხვილი საწარმო და საამქრო საქართვ. მრეწველობამ აითვისა 100-ზე მეტი სახეობის პროდუქცია. აშენდა თბილ. სახელმწ. რ-ული ელსადგურის I ბლოკი, რუსთავის თბოელექტროცენტრალის IV რიგი, კაპროლაქტამის საამქროთა კომპლექსი, მინერ. სასუქების ქ-ნა, ხრამჰესი-2, ორჯონიკიძე—თბილ. გაზსადენი, რიონის წყალსაცავი, ჭიათურის მანგანუმის ახ. მაღაროები და სხვ. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფ. მეურნ. მუშაკებმაც, ბევრმა საბჭ. მეურნეობამ და კოლ-ბამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი.

საქ. კპ ცკ XXI—XXII ყრილობებს შორის პერიოდში დაშენებულმა სუბიექტივისტურმა და ვოლუნტარისტულმა შეცდომებმა, ნეგატიურმა მოვლენებმა დიდი ზიანი მიაყენეს არა მარტო სამეურნეო მშენებლობას, არამედ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტურ, პატრ. და ინტერნაციონალისტურ აღზრდას. მათ გადაჭრით დაძლევას საფუძველი დაუდო სკკპ ცკ-ის 1964 ოქტ. პლენუმმა. ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 119 წევრისა და 57 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე სარევიზიო კომისია.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *გ. ბერეგაძე.*

საქ. კპ XXIII ყრილობა, მიმდინარეობდა 1966 წ. 2—4 მარტს თბილისში. ესწრებოდა 995 დელეგატი გადამწყვეტი და 51 სათათბირო ხმით, რ-ებიც 247070 პარტიის წევრსა და 12905 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება, სარევიზიო კომისიის ანგარიში; „სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ" (პროექტი). ყრილობამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საქ. სსრ ეკონომიკა კიდევ უფრო განმტკიცდა და სამეურნეო-კულტ. მშენებლობის ახ. მიჯნებს მიაღწია, გაიზარდა რესპ. სამრეწვ. პოტენციალი. ყრილობაზე აღინიშნა, რომ მიღწევები გაცილებით დიდი იქნებოდა, 1965 სექტ-მდე არსებული მრეწვ. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების მეთოდები საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე პირობებისა და დონის შესაბამისი რომ ყოფილიყო; რესპ. პარტ., საბჭ. და სამეურნეო ორგანოებს სრულად რომ გამოეყენებინათ წარმოების ზრდის დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი. ყრილობამ პარტ., სამეურნეო და საზ. ორგანიზაციებს დაუსახა ამოცანა — ყოველი ღონისძიებით განვითარებინათ სახ. მეურნ. ყველა დარგი. ყრილობამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა მშრომელთა მატერ. მდგომარეობა, გადიდდა მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოება, დაინერგა მოსახლ. მოშსახურების პროგრ. მეთოდები. 1964—65 წლებში რესპ. უმაღლესმა და საშ. სპეც. სასწავლებლებმა გაამოუშვეს 33 ათ-ზე მეტი სპეციალისტი. თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა ქართულმა საბჭ. მეცნიერებამ, კერძოდ მათ., ფიზ., ფიზიოლ., ქიმ., ბიოლ., გეოლ., ისტ. და ენათმეცნ. დარგებმა, განვითარდა ლიტ-რა და ხელოვნება. ყრილობამ აღნიშნა პარტორგანიზაციების მუშაობაში არსებული ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ ჯეროვანი ყურადღება ვერ დაუთმო რესპ. მრეწვ. და სახ. მეურნ. სხვა დარგების განვითარების ტემპების შემცირების ტენდენციებს, ეკონ. და საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის საკითხებს.

ყრილობამ განიხილა და მოიწონა პროექტი სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებისა სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1966—70 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 121 წევრისა და 61 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 47 წევრის შემადგენლობით და სკკპ XXIII ყრილობის დელეგატები.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971. *შ. ჯიჯეიშვილი.*

საქ. კპ XXIV ყრილობა, მიმდინარეობდა 1971 წ. 27 თებ. — 1 მარტს თბილისში. ესწრებოდა 1033 დელეგატი გადამწყვეტი და 39 სათათბირო ხმით, რ-ებიც 286084 პარტიის წევრსა და 10291 წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ-ის ანგარიში (ვ. მჟავანაძე); სარევიზიო კომისიის ანგარიში (გ. ფირცხალავა); სკკპ ცენტრ. კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახ. მეურნეობის განვითარების 1971—75 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ" (გ. ჯავახიშვილი), ხელმძღვ. პარტორგანოების არჩევნები.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ VIII ხუთწლედში რესპ. სამრეწვ. წარმოების მოცულობა ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა, წარმოების ზრდის საშ. წლიურმა ტემპმა 9% შეადგინა, შრომისნაყოფიერება 37%-ით გაიზარდა. მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისა და საწარმოო ძალების განვითარების მძლავრი საშუალება იყო საწარმოთა გადასვლა დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების ახ. სისტემაზე. მაგრამ აქვე აღინიშნა, რომ მთელმა რიგმა მსხვილმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს სახელმწ. დავალება.

ყრილობამ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნია იდეოლოგიური მუშაობის დონის კიდევ უფრო ამაღლება, დიდი ადგილი დაუთმო ორგანიზაციულ-პარტ. მუშაობის საკითხებს, მიუთითა მის არსებულ ნაკლოვანებებზე.

ყრილობამ განიხილა და ერთხმად მოიწონა სკკპ ცენტრ. კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 123 წევრისა და 63 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 51 წევრის შემადგენლობით, აგრეთვე სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები.

ლიტ.: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას.— საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის რეზოლუცია საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, თბ., 1971. *შ. თეთვაძე.*

საქ. კპ XXV ყრილობა, მიმდინარეობდა 1976 წ. 22—24 იანვ. თბილისში. ესწრებოდა 1289 დელეგატი, რ-ებიც 318371 პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს წარმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ცკ-ის ანგარიში (ე. შევარდნაძე); სარევიზიო კომისიის ანგარიში (გ. ფირცხალავა); პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი" და X ხუთწლედში საქ. სსრ ეკონომიკის განვითარების ამოცანები (ზ. პატარიძე), ხელმძღვ. პარტორგანოების არჩევნები. ყრილობაზე საქ. კპ ცკ-ის პოლიტ. ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად. მთელი პრინციპულობით დაგმო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რესპ. პარტ. ორგანიზაციების საქმიანობაში დაკვიდრებული ხელმძღვანელობის ანტიმეცნ., მანკიერი სტილი.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ IX ხუთწლედში საქართვ. პოლიტ. და ეკონ. ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიყო 2 ეტაპი: I. პარტიის თბილ. საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო და პოლიტ. მუშაობის შესახებ სკკპ ცკ-ის 1972 წ. 22 თებ. დადგენილების მიღებამდე; II — ამ დადგენილების მიღების შემდეგ. პირველ ეტაპზე პოლიტ. ასპექტით სერიოზული გადახვევები იყო დემოკრ. ცენტრალიზმის ცალკეული პრინციპებიდან; ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ კრიტიკისა და თვითკრ

ჯიკის გაშლას, ბევრ შემთხვევაში კი გულუბელყოფდნენ მას. ეკონ. ასპექტით 8 პერიოდს ახასიათებდა ხუთწლედის ვალებებისაგან, საერთო-საკავშ. მაჩვებლებისაგან ჩამორჩენის გაღრმავების ენდენცია, წარმოების ზრდის ტემპის შეელება, ეკონ. განვითარების თვისებრივი აჩვენებლების გაუარესება, სუბიექტივიზისა და ვოლუნტარიზმის ელემენტები ამიერნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში. სკკპ ცკ-ის დადგენილებამ „სკკპ XXV რილობის გადაწყვეტილებათა შესასრუებლად საქართველოს კომპარტიის თბიზის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაიული და პოლიტიკური მუშაობის შესაებ" დროულად გამოავლინა ხუთწლედის ვალებათა არადამაკმაყოფილებელი შესულების მიზეზები, აღნიშნა სერიოზული არვეზები და ნაკლოვანებანი, რ-ებიც დახასიათებელი იყო არა მარტო დედაქაქის, არამედ რესპ. მთელი პარტორგაიზაციისათვის. ხელმძღვანელობდა რა ამ კუმენტებში ჩამოყალიბებული ამოცაებით, მეორე ეტაპზე საქ. კომპარტია ადაჭრით განამტკიცებდა პარტ. და საელმწ. დისციპლინას, სოციალ. დემოკრაიას, კომუნისტთა რიგების მონოლითუობას, ყოველმხრივ იღვწოდა რესპუბლიაში მორალურ-ფსიქოლ. კლიმატის გაანსაღებისათვის. ყრილობამ ღრმად გააანალიზა და დახასა რესპ. ეკონ. და კულტ. ანვითარების ორგანიზაციულ-პარტ. და დეურ-პოლიტ. მუშაობის შემდგომი რულყოფის, მორალურ-ფსიქოლ. კლიატის შემდგომი გაჯანსაღების საჭირბოოტო პრობლემათა გადაჭრის გზები. რილობამ განიხილა და ერთსულოვნად ოიწონა პარტიის XXV ყრილობისათვის კკპ ცკ-ის პროექტი „სსრ კავშირის სახალო მეურნეობის განვითარების 1976—1980 ლების ძირითადი მიმართულებანი", ირჩია საქ. კპ ცკ 137 წევრისა და 59 კანიდატის, სარევიზიო კომისია 47 წევრის მადგენლობით, აგრეთვე სკკპ XXV რილობის დელეგატები.

ლიტ.: ფ ვ ა ნ ი ა გ., ჯ ა ნ გ ე ლ ა ე გ., საქართველოს კომპარტიის XXV ყრიობა, თბ., 1976. *შ. თეთვაძე.*

ᲡᲙ. ᲙᲙ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობა 1981 წ. 22—24 იანვ. თბილისში. ესწებოდა 1416 დელეგატი, რ-ებიც 350 435 პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს არმოადგენდნენ. დღის წესრიგი: საქ. კპ ენტრ. კომიტეტის ანგარიში (ე. შევარდნაე); სარევიზიო კომისიის ანგარიში (ი. აზარაძე); პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტი „სსრ კავშირის კონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე ერიოდის ძირითადი მიმართულებანი" (ზ. პატარიძე). ხელმძღვ. პარტ. ორანოების არჩევნები. ყრილობამ საქ. ბ ცკ-ის საქმიანობა პარტიის პოლიტ. აზის განხორციელებისათვის დამაკმაყოილებლად ცნო, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში. ყრილობამ შეაამა X ხუთწლედის შედეგები და განაზღვრა XI ხუთწლედის ამოცანები. ყრიობაზე, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შეიქმნა 15 სამუშაო ჯგუფი, რითაც პრაქტიკულად თითოეულ დელეგატს შესაძლებლობა ქონდა გამოეთქვა თავისი აზრი; სამუშაო ჯგუფების სხდომებზე 350 დელეგატმა გამოთქვა აზრი განხილულ პრობლებზე. მათ წამოაყენეს წინადადებები, რინციპული პოზიციებიდან შეაფასეს შეენილი გამოცდილება, გააანალიზეს ორგანიზატორულ-პარტ., იდეოლოგიური, სოც.-ეონ. საქმიანობის ყველა სფეროში არებული წარმატებანი და ნაკლოვანებანი, ანიხილეს მომავალ ამოცანათა გადაწყვეის შესაძლო გზები და სხვ. ამ შენიშვნებს და წინადადებებმა თავი მოიყარა რეკომენდაციებში, რ-თა ძირითადი დებულებაი აისახა საქ. კპ XXVI ყრილობის დადნილებაში. ყრილობაზე აღინიშნა, რომ აქართვ. პარტ. ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში მთელ თავის ორგანიზატორულ და პოლიტ. საქმიანობას წარმართავდა სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცკის მომდევნო პლენუმების ისტ. გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილ. საქალაქო კომიტეტისა და საქართვ. პარტ. ორგანიზაციის შესახებ ისტ. დადგენილებების შესასრულებლად. რესპ. პარტ. ორგანიზაციების ყურადღება ძირითადად მიპყრობილი იყო ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორიც იყო: ორგანიზატორულ, პოლიტ. და იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფა; სოციალ. დემოკრატიის განვითარება, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება, ადამიანებზე ზრუნვის გაძლიერება; პარტ. და სახელმწ. დისციპლინის განმტკიცება; წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება; რესპ. ეკონ. და სოც. განვითარების ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებელთა მთელი კომპლექსის მიხედვით შესრულების უზრუნველყოფა. მრეწვ. პროდუქციის მოცულობა X ხუთწლედში 41%-ით გადიდდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომისნაყოფიერება. გაუმჯობესდა საწარმოო მოწყობილობათა გამოყენება. X ხუთწლედში მიღწეული დიდი წარმატებანი მნიშვნელოვანწილად განაპირობა დასახული ამოცანების გადასაჭრელად პოლიტ.-აღმზრდელობითი მუშაობისადმი კომპლ. მიდგომამ. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გაჯანსაღდა მორალურ-ფსიქოლ. კლიმატი. დადებითი გარდაქმნები შეუქცევადი და რადიკალური გახდა, პარტ. ორგანიზაციები შეურიგებლად იბრძოდნენ პროტექციონიზმის, ფორმალიზმის, კარიერიზმის მავნე ტრადიციების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მექრთამეობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო ქართ. საბჭ. კულტ. შემდგომი განვითარების, შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებს. დიდი პრინციპული და პრაქტ. მნიშვნელობა აქვს ყრილობის დებულებებსა და დასკვნებს პარტ. ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპების ცხოვრებაში თანამიმდევრულად გატარებისათვის, პარტიის რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების შემდგომი მუშაობისათვის, შინაპარტ. დემოკრატიის გაღრმავებისათვის, მართვის მეთოდების, ყველა სახელმწ. და საზ. ორგანიზაციისადმი პარტ. ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის; კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის, მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებისათვის. ყრილობამ მოიწონა საქ. კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებული რესპ. პარტ., საბჭ. და საზ. ორგანიზაციების ამოცანები XI ხუთწლედისათვის, აგრეთვე ყრილობის დელეგატთა სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეკონ. და პარტ.-პოლიტ. მუშაობის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. ყრილობამ საფუძვლიანად განიხილა და მოიწონა პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცკის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის მიმართულებანი". ყრილობამ აირჩია საქ. კპ ცკ 147 წევრისა და 66 კანდიდატის, სარევიზიო კომისია 50 წევრის შემადგენლობით და სკკპ XXVI ყრილობის 106 დელეგატი.

ლიტ.: სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981; შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე ე., საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს, თბ., 1981. *შ. თეთვაძე.*

ᲡᲐᲥᲗᲐ ᲠᲬᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, იხ. სტ. *დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები.*

ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲫᲔᲓᲘ, აღმასრულებელი მოხელე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ს. მ-ნი მოხელეთა მეორე მთავარ ჯგუფს შეადგენდნენ — *ბელისუფალთა „ფარმანსა ქუეშე"* იყვნენ, მათს ბრძანებასა და განგებულებას აღასრულებდნენ. „ყოველნი საქმის მოქმედნი" „დიდთა" და „მცირეთა" („ქუეშეთთა") ქვეჯგუფებად განიყოფებოდნენ.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965, გვ. 6, 9—11, 26, 31, 36, 73.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 1—2, ტფ., 1928—29. *ი. ფუტკარაძე.*

ᲡᲐᲥᲝᲑᲝ, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში (ვარდისუბნის სოფსაბჭო), ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 200 *მ*, ლაგოდეხიდან 20 *კმ*. მ. გორკის სახ. ვარდისუბნის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეველახეობა, მემინდვრეობა, მებოსტნეობა). რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, ფოსტა.

ᲡᲐᲥᲝᲑᲝ (ყოფ. ს ა ქ ვ ა ბ ე), სოფელი სიღნაღის რ-ნში, ალაზნის ვაკეზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., მაშნაარი). ზ. დ. 450 *მ*, სიღნაღიდან 7 *კმ*, წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. მსხვ. რქ. საქონლის სასუქი საეც. ექსპერ. კომპლექსი. კირის ქ-ნა. 2 საშ. სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაგა, 3 ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სოფელმა სახელწ. მიიღო „ქვაბებიდან" (გამოქვაბულიდან), რ-ებიც დღესაც არის შემონახული. სოფელში დგას წმ. სტეფანეს, ყველაწმინდის, სამებისა და წმ. გიორგის ეკლესიები (შუა საუკუნეები).

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲑᲠᲣᲜᲕᲐ, საქონლის მიმოქცევა, კვლავწარმოების პროცესის სტადია, რ-იც მოიცავს საქონლის მოძრაობას წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე, გამოხატავს წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების გაყიდვის ღირებულებას (ჯამს). ს. იყოფა საბითუმო და საცალო საქონელბრუნვად. საბითუმო ს. (წარმოებითი და გამსაღებელი გაერთიანებების საწარმოს მიერ საქონლის მიყიდვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, შემდგომ მოსახლეობისათვის მისი უშუალო რეალიზაციის მიზნით) საწარმოთა შორის საქონლური კავშირის ფორმაა. საბითუმო ს. უპირატესად სავაჭრო-საბითუმო ბაზების, სამრეწვ. სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, მომარაგება-გასაღების რგოლებისა და სხვ. მეშვეობით ხორციელდება. მისი მიზანია საცალო სავაჭრო ქსელის უწყვეტი და რიტმული მომარაგება საჭირო საქონლით.

ს ა ც ა ლ ო ს. გამოხატავს მოსახლეობაზე საქონლის ან საქონლური ხასიათის მომსახურების მიყიდვათა ჯამს, რ-ებიც მოსახლეობის ფულად შემოსავლებზე იცვლება. საცალო ს. გვიჩვენებს მოსახლეობის რეალიზებული გადახდისუნარიანი მოთხოვნის სიდიდეს, ამიტომ იგი ხალხის კეთილდღეობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. მისი მატერ. საფუძველია სასაქონლო ფონდები.

1981 წ. 1940-თან შედარებით საქ. სსრ სახელმწიფო და კოოპ. ვაჭრობის საცალო ს. 10-ჯერ გაიზარდა. 1981 საქ. სსრ მთელ საცალო ს-ში სახელმწ. ვაჭრობაზე მოდიოდა 66,0%, კოოპერაციულზე — 29,0%, საკოლმ. ბაზარზე კი — 5,0% (1965 იგი შესაბამისად უდრიდა 59, 26 და 15%-ს). საცალო ს-ის სტრუქტურა პროგრესულად იცვლება, ანუ მის მოცულობაში იზრდება მაღალკალორიული კვების პროდუქტების, აგრეთვე ხანგრძლივი მოხმარების კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წილი. *ე. ვეფხვაძე.*

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ (სამართ. ისტ.), ქონების სახეობა ძველ საქართველოში. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ს. არის უსულო *ბუასტავი* „საყოლელისაგან" განსხვავებული მოძრავი ქონება. ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ტერმ. „ს" ძველად მოძრავი უსულო საგან-ნივთების აღმნიშვნელი უნდა იყოს, თუმცა „შესაძლებელია

სულდგმული საქონელიც ყოფილიყო, მაგ. ყოველგვარი შინაური პირუტყვიც, და უსულოც, მაგ. ნივთები, ავეჯეულობა, სურსათი და სხვა". ი. დოლიძის აზრით, პირუტყვი არ შედიოდა ს-ის ცნებაში, „ს." მხოლოდ უსულო მოძრავი ქონების შინაარსისა იყო. ს-ის იურიდ. ბუნებაზე ძირითადად წარმოდგენას იძლევა გიორგი ბრწყინვალის, ბექას და აღბუღას და ვახტანგ VI-ის სამართ. წიგნები. ჩვეულებრივ „ს." ყველანაირი მოძრავი ქონების მნიშვნელობით იხმარებოდა (ბერძნ. სამართ. ქართ. ვერსიაში „უძრავი საქონელიც" კი იხსენიება). *ნივთების* კლასიფიკაციის თვალსაზრისით ს. *მამულს* უპირისპირდებოდა.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—6, თბ., 1963—77.

ლიტ.: დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 53—56; მისივე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 144—149; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929; Законы Вахтанга VI, изд. Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980, с. 293.

ი. ფუტკარაძე.

საქონელი, გასაყიდად წარმოებული შრომის პროდუქტი. პროდუქტის გაცვლა საქონლურ ფორმაში წარმოიშვა განსაზღვრულ ისტ. პირობებში, როცა პროდუქტს აწარმოებდნენ ცალკეული მწარმოებლები და პროდუქტის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით კმაყოფილდებოდა საზ. მოთხოვნილება. საქონელწარმოების წარმოშობა უშუალოდ დაკავშირებულია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაჩენასა და განვითარებასთან. მონათმფლობელური და ფეოდ. ფორმაციების დროს საქონელწარმოება არ იყო გაბატონებული, ჭარბობდა *ნატურალური მეურნეობა.* საქონელწარმოებამ, მას შემდეგ, რაც *სამუშაო ძალა* ს-ად გადაიქცა, მიიღო საყოველთაო ფორმა.

ყოველ ს-ს აქვს ორი ფაქტორი: *სახმარი ღირებულება* და *ღირებულება.* ნივთს სახმარ ღირებულებად ხდის ამ ნივთის სარგებლიანობა, მისი თვისება დააკმაყოფილოს ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის რომელ მოთხოვნილებებს (ფიზიკურს, სულიერს თუ სხვ.) აკმაყოფილებს იგი. ნივთის სარგებლიანობა ს-ის სხეულის თვისებებითაა განპირობებული და ამ სხეულის გარეშე არ არსებობს, „ამიტომ საქონლის სხეული, როგორც მაგალითად, რკინა, ხორბალი, ალმასი და ა. შ., თვით არის სახმარი ღირებულება ანუ დოვლათი" (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 50). ყოველ ეკონ. წყობილებაში ნატურალურ ფორმაში გამოხატული სიმდიდრე არის ნივთების განსაზღვრული რაოდენობა, რ-იც ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მაშასადამე, სახმარი ღირებულება ყოველთვის შეადგენს სიმდიდრის საზ. ფორმის შინაარსს, როგორიც არ უნდა იყოს ამ სიმდიდრის საზ. ფორმა. ამასთან ერთად სახმარი ღირებულების მიხედვით შეუძლებელია ამა თუ იმ საზ. წყობილების დახასიათება. „ხორბლის გემოთი ვერ გაეარკვევით, ვინ მოიყვანა იგი: რუსმა ყმამ, ფრანგმა წვრილმა მესაკუთრე გლეხმა თუ ინგლისელმა კაპიტალისტმა. თუმცა სახმარი ღირებულება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა საგანია... მაგრამ იგი მაინც არ გამოხატავს საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთობას" (მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, წგნ. 1, თბ., 1953, გვ. 16). სახმარი ღირებულება აქვს ბევრ ისეთ ნივთს, რ-იც ადამიანის შრომას არ შეუქმნია (ჰაერი, წყაროს წყალი, ბუნებრივი მდელო და ა. შ.). ასეთი ნივთები ს-ს არ წარმოადგენენ: „სახმარ ღირებულებად ყოფნა... აუცილებელი წანამძღვარია საქონლისათვის, მაგრამ საქონლად ყოფნა სრულიად განურჩეველი განსაზღვრაა სახმარი ღირებულებისათვის" (იქვე, გვ. 17). მათგან განსხვავებით ს-ის სახმარი ღირებულება სახმარი ღირებულებაა იმისათვის, ვინც ამ ნივთს იძენს ყიდვა-გაყიდვის გზით. სახმარი ღირებულება არის *საცვლელი ღირებულების* ნივთიერი თვისება. საცვლელი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა სახმარი ღირებულების რაოდენობრივი შეფარდებაა. სხვადასხვა ს. ერთიმეორეს უტოლდება განსაზღვრული რაოდენობით, რ-იც თვისებრივად სხვადასხვა სახმარი ღირებულებაა. ორი ნივთის გაცვლის პროცესში რაღაც საერთო არსებობს. ეს საერთო არ შეიძლება იყოს ს-ის რომელიმე ბუნებრივი თვისება (წონა, მოცულობა, ფორმა და სხვ.). მართალია, ეს თვისებები ს-ს სახმარ ღირებულებად ხდის, „მაგრამ, მეორე მხრივ, საქონელთა საცვლელ შეფარდებას ნათლად ახასიათებს სწორედ აბსტრაჰირება მათი სახმარი ღირებულებისაგან. საქონელთა საცვლელი შეფარდების ფარგლებში თვითეულ სახმარ ღირებულებას სწორედ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ყოველ სხვას, თუ კი იგი სათანადო პროპორციებით არის მოცემული" (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 50). თუ ს-ის ნივთიერ ფორმას მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ მას მხოლოდ ერთი თვისება დარჩება — იგი მხოლოდ შრომის პროდუქტი იქნება. სხვადასხვა სახმარი ღირებულების შეფარდების დროს ყველა ის სასარგებლო თვისება, რ-იც ამ ს-ს აქვს და რ-თაც გრძნობით აღვიქვამთ, ქრება. მაშასადამე, ქრება შრომის კონკრ. ფორმაც. „ისინი უკვე აღარ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ყველა დაყვანილია ადამიანის იგივურ შრომაზე, ადამიანთა აბსტრაქტულ შრომაზე" (იქვე, გვ. 53). თუ სხვადასხვა სახის სახმარ ღირებულებათა შორის რაოდენობრივი თანაფარდობაა, მათი საერთო თვისება ის არის, რომ თითოეული მათგანი შრომის პროდუქტია „... ამრიგად, სახმარ ღირებულებას, ანუ დოვლათს, ღირებულება მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ მასში ადამიანის აბსტრაქტული შრომაა გასაგნობრივებული, ანუ მატერიალიზებული" (იქვე, გვ. 54).

ადამიანის შრომა ღირებულების სუბსტანციაა. ღირებულების სიდიდე განისაზღვრება ს-ში გასაგნობრივებული შრომით. ეს „...ის სამუშაო დროა, რომელსაც მოითხოვს ამა თუ იმ სახმარი ღირებულების დამზადება წარმოების არსებული საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში და შრომის დახელოვნებისა და ინტენსივობის საზოგადოებრივ საშუალო დონეზე" (იქვე, გვ. 54). მაშასადამე, ს-ის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება არა ინდივიდ. სამუშაო დროით, რ-საც ცალკეული საქონელმწარმოებელი ხარჯავს ს-ის წარმოებაზე, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით. ს-ის ღირებულების სიდიდე იცვლება საზ. შრომის ნაყოფიერების ცვლილების შედეგად.

ს-ის ორადი ხასიათი (სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება) განპირობებულია შრომის ორადი ხასიათით. ამ უკანასკნელს კ. მარქსი თვლიდა *პოლიტიკური ეკონომიის* გაგების ამოსავალ პუნქტად. ს-ის სახმარი ღირებულება კონკრ. შრომის შედეგია. „ეს უკანასკნელი განსაზღვრულია თავისი მიზნით, ოპერაციათა წესით, საგნით, საშუალებით და შედეგით" (იქვე, გვ. 58). ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ერთი სქონელმწარმოებლის შრომა, როგორც საქონელი, ვერც დაუპირისპირდებოდა მეორისას, რადგან უაზროა ერთი სახმარი ღირებულების გაცვლა იმავე სახმარ ღირებულებაზე. ამრიგად, თითოეულ სახმარ ღირებულებაში მატერიალიზებულია შრომის განმსაზღვრელი სახეობა. კონკრ. შრომით შექმნილ სხვადასხვა სახმარ ღირებულებას გაცვლის პროცესში ერთიმეორეს უტოლებენ. „თერძობაც და ფეიქრობაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თვისებრივად სხვადასხვა მწარმოებლური მოქმედებაა, ორივე წარმოადგენს ადამიანის ტვინის, კუნთების, ნერვების, ხელებისა და სხვ. მწარმოებლურ დახარჯვას, და ამ მიზნით ორივე ადამიანის შრომაა" (იქვე, გვ. 61).

ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვა კონკრ. ფორმის მიუხედავად, კ. მარქსი უწოდებდა *აბსტრაქტულ შრომას,* რ-იც ს-ის ღირებულებას ქმნის იგი საზ., ეკონ. მოვლენაა, რ-იც დამახასიათებელია მხოლოდ სასაქონლო წარმოებისათვის.

ს-ში მატერიალიზებულ შრომას სახმარი ღირებულების მიმართ თვისებრივი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ღირებულების მიმართ — რაოდენობრივი. ს-ის ღირებულების სიდიდე მხოლოდ ს-ში მოქცეული შრომის რაოდენობას გამოხატავს, ამიტომ გარკვეული პროპორციით აღებული მუდამ ტოლი ღირებულების უნდა იყოს.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების პირობებში ს-ში მატერიალიზებული შრომის ორადი ხასიათი ასახავს წინააღმდეგობას კერძო და საზ. შრომას შორის, რაც გაცვლის პროცესში ვლინდება. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კაპიტალიზმის პირობებში შრომა საზ. ხასიათი მიჩქმალულია და შრომა უშუალოდ გამოდის, როგორც კერძო შრომა. დასახელებული წინააღმდეგობის გამოხატულების წარმებია წინააღმდეგობა სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის, კონკრ. და აბსტრ. შრომას შორის და ა. შ. კერძო და საზ. შრომას შორის წინააღმდეგობა გადაიზრდება *კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობაში* (წინააღმდეგობა წარმოების საზ. ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კერძო კაპიტალ. შრომა შორის).

სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების დამყარების გამო იცვლება ს-ის, როგორც ეკონ. კატეგორიის არსი და როლი. ს. უკვე არ გამოდის საზ. სიმდიდრის ერთ და საყოველთაო ფორმად, საქონელი მიმოქცევიდან ამოირიცხება სამუშაო ძალა, მიწა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი სიმდიდრე, მოქმედი საწარმოებიც იწყება ს-ის არასაქონლად გადაქცევის პროცესი. იგი სოციალ. საწარმოებში გეგმაზომიერად წარმოებული პროდუქტია (იხ. *საქონელბრუნვა*), რ-იც გათვალისწინებულია საზ-ბის ზრდადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სოციალიზმის პირობებში სოციალ. საწარმოებში შექმნილ პროდუქტებს შენარჩუნებული აქვს ს-ის ორადი ხასიათი. სახმარი ღირებულება იქცევა უშუალო საზოგადოებრივ ღირებულება ასახავს სოციალ. წარმოებით ურთიერთობას, საზ-ბა დაინტერესებულია პროდუქტის ერთეულის ღირებულების შემცირებით. შრომის პროდუქტების სასაქონლო ფორმებში შენარჩუნება გულისხმობს შრომის ორადი ხასიათის შენარჩუნებასაც. სოციალ. საზ-ბაში, იმის გამო, რომ არ არსებობს კერძო შრომა, გამორიცხულია წინააღმდეგობა კერძო და საზ. შრომას შორის. მაგრამ არსებობს საზ. შრომის წინააღმდეგობა, რ-იც ვლინდება სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის არაანტაგონისტური წინააღმდეგობით. ამ წინააღმდეგობის გამოვლინების ფორმებია: მოცემული წარმოების პირობებში განსხვავება მოთხოვნილების და მაყოფილების შესაძლებლობასა და ფაქტობრივ დონეს შორის; განსხვავება დაგეგმილსა და ფაქტობრივ წარმოებას შორის, მისი სტრუქტურის, ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით და სხვ. სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის წინააღმდეგობამ შეიძლება გამოიწვიოს საბის როგორც მთელისა და საწარმოს ეკონინტერესების განსაზღვრული გათიშვა, უკანასკნელმა კი — სახმარი ღირებულების წარმოების გეგმის გარღვევა, სტანდა

ის დაუცველობა, ხარისხის დაქვეითება, არასაჭირო პროდუქციის წარმოება და სხვ. მაგრამ დასახელებულ წინააღმდეგობებს არ შეუძლია გამოიწვიოს კაპიტალ. წარმოების წესისათვის დამახასიათებელი შეფარდებითი ჭარბწარმოების *კონომიკური კრიზისები*. იგი დროებითი ოვლენაა და გადაიჭრება სოციალ. წარმოების მართვის სრულყოფის ბაზაზე. ს. ა საქონელწარმოება ისტ. კატეგორიაა. სოციალ. *წარმოებითი ურთიერთობის* ომუნისტურში გადაზრდის კვალობაზე საქონელწარმოება თანდათან გადაიზრდება როდუქტწარმოებაში (იხ. აგრეთვე, *ვაჭრობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სასაქონლო წარმოება, სასაქონლო ონდი*). *ჯ. კახნიაშვილი.*

საქონელმცოდნეობა, მეცნიერება, რ-იც ეისწავლის საქონლის სახმარ ღირებულებას, აგრეთვე სახმარ ღირებულებათა რანსპორტირებისა და შენახვის პირობებს, *სტანდარტიზაციას*, ახორციელებს ახმარ ღირებულებათა მეცნიერულ კლასიფიკაციას.

ს. იყოფა ორ დარგად ერთი მათგანი კვების პროდუქტების ს.) შეისწავლის ვების პროდუქტებს, მეორე კი (სამრეწვ. აქონლის ს.) — არაკვებით პროდუქტებს ე. წ. სამრეწვ. საქონელს). შესწავლი- ი საგნების სპეციფიკა განაპირობებს -ის აღნიშნული დარგების სპეციფიკასაც.

ს. თავისი შინაარსით მიეკუთვნება ეცნიერებათა საბუნებისმეტყველო დარებს. ამავე დროს ის ემსახურება მიმოქცეის სფეროს და მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნ. კომერც. დარგებთან (ვაჭრობის კონომიკა, ვაჭრობის ორგანიზაცია და ექნიკა).

ს-ის ისტორია შეიძლება დაიყოს 3 ირითად პერიოდად. 1. უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე; 2. XIX ს. 0-იანი წლებიდან დიდი ოქტ. რევოუციამდე და 3. 1917-იდან დღემდე. აღნიშნული პერიოდები იყოფა ცალკეულ ტაპებად.

ს-ისა და ტექნოლ. საწყისები მონათველობილურ წყობილებაში იყო. XVI ს-ში ბრაცელსუსის და ი. ბ. ვან პელმონის შრომებმა საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ატროქიმიას, რ-იც შეისწავლიდა მცენაეებისაგან წამლების დამზადების ტექნოლ., საკვები პროდუქტების ტექნოლ. და ის ზოგიერთ საკითხს. მრეწვ. და ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო სავაჭრო ლიტ-რის შექმნას. ეს ლიტ-რა შეიცავდა აგრეთვე საქონელმცოდნეობითი ხასიათის მასალებს. 1575—1610 წლებში უსეთში დაიბეჭდა „სავაჭრო წიგნი", 652—53 წლებში დაიბეჭდა ი. პოსოშკოვის „სიღარიბისა და სიმდიდრის წიგნი"; საფრანგეთში გამოვიდა სავაჭრო „კომერციული ლექსიკონი", რ-იც ითარგმნა უს. ენაზე XVIII ს. 40-იან წლებში. ამ განასკუთრებულში არის ცნობები XVII ს. საართველოს სავაჭრო საგნების შესახებ.

„სავაჭრო მეცნიერების" და, კერძოდ -ის შესახებ, აზრი პირველად ჩამოაყალიბა ლაიფციგის უნ-ტის პროფ. კარლ ენუდოვიცი თავის წიგნში „სრული სავაჭრო სისტემის საფუძვლები" (1756). ამავე პერიოდში ესპანეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში არსდება უმაღლესი და საშ. კომერც. სასწავლებლები, მაგრამ ეს სასწავლებლები ფართოდ განვითარდა მხოლოდ IX ს. II ნახევრიდან. ლაიფციგისა და სხვების უნ-ტებში ასწავლიდნენ ტექნოლოგიასა და ს-ს. 1906 ბერლინში დაარსებულმა სპეც. უმაღლესმა სავაჭრო სკოლამ ახლანდ. ბერლინის ეკონ. ინ-ტი) დიდად ქვეწყო ხელი ს-ის, როგორც მეცნ., განვითარებას. 1906 მოსკოვში, ხოლო 1908 ევეში დაარსდა პირველი უმაღლესი კომერც. სასწავლებლები.

სავაჭრო უმაღლესი სასწავლებლებია და ს-ის განვითარება დაიწყო ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვების შემდგომ, როდესაც (1930-იდან) სსრკ-ში დაარსდა სავაჭრო და კოოპ. ინ-ტები (მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, კიევში და სხვ.) და ზოგიერთ უნ-ტში შეიქმნა ს-ის კათედრა და ფაკ-ტი. ს-ის კათედრა შეიქმნა თსუ-შიც, სადაც მას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში პროფ. კ. მეგრელიძე ხელმძღვანელობდა.

ს-ის, როგორც მეცნ., განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით რუს. სამამულო და საბჭ. მეცნიერებს: ნ. ოზერეცკოვსკის (1750—1827), ი. ლეპიოხინს (1740—1802), პ. პალასს (1741—1811), ვ. სევერგინს (1768—1826), ი. ბინდეიმს (1750—1825), ტ. ლოვიცს (1818—1883) (რუს. აკად. ნ.წ.), აგრეთვე პროფესორებს: მ. კიტარის (1825—1880), პ. პეტროვს (1850—1928), ი. ნიკიტინსკის (1854—1924), თ. ცერევიტინოვს (1874—1947), ვ. სმირნოვს (1881—1958) და სხვ. *შ. ჩოგოვაძე.*

საქონლის ფეტიშიზმი (<ფრანგ. fétiche — ფეტიში, კერპი), ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობის განივთება კერძო საკუთრებაზე დამყარებულ სასაქონლო წარმოებაში, ნივთებისადმი ადამიანთა ბედის მოჩვენებითი დაქვემდებარება. განცალკევებულ საქონელმწარმოებლებს შორის შრომის პროცესში მყარდება ეკონ. ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა უშუალოდ არ ჩანს, რადგან საქონელმწარმოებლები კერძო საკუთრების ზღუდეებით არიან ერთიმეორისაგან გამოყვნილი. ამგვარი ურთიერთობა ვლინდება მხოლოდ წარმოების პროცესის შემდეგ ბაზარზე, ე. ი. მხოლოდ იმ დროს, როცა ისინი გასაცვლელად, გასაყიდად გამოიტანენ პროდუქტს. აქ საქონელმწარმოებლების ბედი საქონლის სარფიან გასაღებაზეა დამოკიდებული და ისინი სწორედ მას, ე. ი. საქონელს მიაწერენ ისეთ მისტიკურ თვისებებს, რ-ებიც არ შეიძლება ჰქონდეს. საქონლის ეს მოჩვენებითი თვისებები *წარმოებითი ურთიერთობისაგან* მომდინარეობს. იგი მეურნ. სტიქიური სასაქონლო ორგანიზაციის შედეგია, როდესაც საწ-ბა შეგნებულად კი არ აწესრიგებს რესურსების განაწილებას წარმოების სფეროებსა და დარგებს შორის, არამედ იგი ეკისრება სტიქიურად მოქმედ *ღირებულების კანონს*.

რაც უფრო ვითარდება სასაქონლო წარმოება, აღებ-მიცემა, სპეკულაცია, მით უფრო ძლიერდება ს. ფ. ფეტიშიზმის უმაღლესი გამოხატულებაა *ფულის ფეტიშიზმი*, რ-იც სრულ განვითარებას აღწევს კაპიტალ. საზოგადოებაში. ს. ფ. გამსჭვალავს კაპიტალიზმის ყველა ეკონ. მოვლენას — ხელფასს, მოგებას, სარგებელს, მიწის რენტასა და სხვ. *მ. გველესიანი.*

საქორის ძეძი, მთა გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სიმაღლე 1576 *მ*. აგებულია ცარცული ასაკის მერგელებითა და კირქვებით. თხემი გუმბათისებრი აქვს, კალთები — დამრეცი, დანაწევრებული. შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით.

დ. ტაბიძე.

საქორციო, სოფელი ხობის რ-ნში (ქუემო ჭალადიდის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 5 *მ*, ხობიდან 20 *კმ*, ჭალადიდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. საბაჯოში (2 *კმ*).

"საქორწილო (სამართ. ისტ.), ქორწილის ხარჯი თუ „წილი, გინა ხარკი" (საბა), ბატონის ქორწილის დროს გლეხთაგან აკრეფილი სავალდებულო შესაწევარი ძველ საქართველოში. ს-ს გლეხის შეძლებისდაგვარად კრეფდნენ. მისი განსაზღვრული ნაწილი მოხელეებს (მაგ., ვახტანგ VI-ის *დასტურლამალის* მიხედვით, აბაზი მამასახლისსა და მარჩილი—3 აბაზი — მოურავს) ეძლეოდათ.

წყარო: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, შემდგ. მ. ბერძნიშვილი, თბ., 1957; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1963—65; ტ. 4—6, თბ., 1972—77.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 562; ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976, გვ. 27—28. *ი. ფუტკარაძე.*

საქორწინო ასაკი, იხ. სტ. *ქორწინება*.

საქორწინო და საოჯახო კოდექსი, კანონთა კრებული, რ-იც ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს. სსრკ-ში ს. და ს. კ-ის გამოცემა მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში შედის. ეს ერთიანი საკანონმდებლო აქტი ასახავს და ავითარებს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლების (1968) ნორმებს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახშ. ოჯახის შემდგომ განმტკიცებას, დედათა და ბავშვთა ინტერესების ყოველმხრივ დაცვას, ქალის უთანასწორო მდგომარეობის ნაშთების აღმოფხვრას ყოფა-ცხოვრებაში და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვას. ს. და ს. კ-ით დადგენილია დაქორწინებისა და განქორწინების პირობები და წესი, მოწესრიგებულია ოჯახში მეუღლეთა თუ ოჯახის სხვა წევრთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე შვილად აყვანისა და სხვ. საკითხები.

საქ. სსრ ს. და ს. კ. დამტკიცებულია 1970 წ. 18 ივნისს. შედგება 200 მუხლისაგან, რ-ებიც 6 კარშია გაერთიანებული. ესენია: ზოგადი დებულებანი, ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა და მზრუნველობა, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები და კარი, რ-იც მიძღვნილია საბჭ. კანონმდებლობის გამოყენებისადმი უცხოელთა და მოქალაქეობის არამქონე პირთა მიმართ. ზოგი საკითხი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებისაგან განსხვავებულად არის გადაწყვეტილი. მაგ., საქ. სსრ ს. და ს. კ-ის 105-ე მუხლი, რ-იც ეხება გაშვილებას მშობლის თანხმობის გარეშე, ამისათვის საკმარისად არ თვლის მშობლის მიერ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის მიუღებლობას და აუცილებლად მიიჩნევს სარწმუნო მტკიცებულებებით იმის დადგენას, რომ მშობელი განზრახ არ იღებდა მონაწილეობას შვილის აღზრდასა და რჩენაში.

თ. ცაგურია.

საქორწინო კონტრაქტი, ზოგიერთი ქვეყნის (მაგ., საფრანგეთი, იტალია) სამართალში ნეფე-დედოფლის მიერ დაქორწინების დროს დადებული შეთანხმება ქონების მართვისას ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგების თაობაზე. მაგ., ს. კ. შეიძლება იყოს ქონების ერთად მართვის, ე. წ. თანამართვის, საფუძველი (საფრანგეთში) ან ს. კ-ის შედეგად ქონების მართვის მთელი უფლება ქმარს გადაეცემა (თურქეთში). სოციალ. ქვეყნების კანონმდებლობაში ცნება ს. კ. არ არსებობს, მაგრამ მეუღლეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს მათი ქორწინებამდელი ქონების ერთობა თუ განცალკევებულობა (მაგ., პოლონეთში).

საქსაგანსკი (ნამდვ. გვარი — ტობილევიჩი) პანას (ათანასე) კარპის ძე [15 (27). V. 1859, სოფ. კამენო-კოსტუგატოვე, ახლანდ. ნიკოლაევის ოლქი, ბრატსკის რ-ნი, — 17. IX. 1940, კიევი], უკრაინელი საბჭ. მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1936). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1875. მუშაობდა მ. სტარიცკის, მ. კროპივნიცკის, ნ. სადოვსკის დასებში. 1890—1909 სათავეში ედგა დასს, რ-შიც შედიოდნენ უკრ. თეატრის გამოჩენილი მსახიობები. 1918 კიევში შექმნა სახ. თეატრი, რ-ის ბაზაზეც ჩამოყალიბდა (1922) უკრ. მ. ზანკოვეცკაიას სახ. დრამ. თეატრი (ამჟამად ლვოვშია). მუშაობდა აგრეთვე უკრ. ი. ფრანკოს სახ.



პ. საქსაგანსკი ვოზნის როლში (ი. კოტლიარევსკის „პოლტაველი ნატალკა").




საქსაული. შავი საქსაულის ტყის მონაკვეთი მდ. ჩუს ქვემო წელში. ყაზახეთის სსრ.

და ჩარკოვის სახ. თეატრებში (1927—31). საუკეთესო როლები: ვოზნი (კოტლიარევსკის „პოლტაველი ნატალკა", კარასი (გულაკ-არტემოვსკის „ზაპოროჟიელი დუნაის გაღმა"), ბონავენტურა (კარპენკო-კარის „ასი ათასი") და სხვ. 1889-იდან რეჟისორად მუშაობდა; დადგა კარპენკო-კარის, სტარიცკის, შევჩენკოს, შილერისა და სხვ. პიესები.


საქსაული (Haloxylon), მცენარეთა გვარი ნაცარქათამასებრთა ოჯახისა. მაღალი ბუჩქები ან ტანდაბალი ხეებია. მათი სიმაღლე 1,5—12 *მ* აღწევს. დიამეტრი ღეროს ძირში — 20—65 (100) *სმ*. აქვს ფაშარი ან ხშირი ვარჯი, ზოგჯერ დაკიდებული, მტვრევადი ტოტებით. დანაწევრებულ მწვანე ყლორტებზე უფერული, ქერქლისებრი, წვრილი ფოთლები განლაგებულია ერთმანეთის საპირისპიროდ, ზოგჯერ ისინი ხორკლის მსგავსია. ორსქესიანი წვრილი ყვავილები თითო-თითოდ ზის ქერქლისებრი ყვავილთანების იღლიაში. ზამთარში ყლორტების დიდი ნაწილი ცვივა. ს-ის 10-მდე სახეობა გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, ირანში, ავღანეთში, შუა და ცენტრ. აზიაში, სამხრ-ით — ბირმასა და სამხრ.-დას. ჩინეთამდე, უმეტესად ბარის ქვიშიან და მლაშობ უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებში. ზოგი სახეობა 3000 *მ*-მდე აღწევს. სსრკ-ში ს-ის 3 სახეობა იზრდება. მათგან შუა აზიაში უფრო გავრცელებულია თეთრი ს. (H. persicum) და შავი ს. (H. aphyllum), ს. საუკეთესოა გასამწვანებლად და მოძრავი ქვიშის გასამაგრებლად. თესავენ ან რგავენ შემოდგომიდან მარტამდე. მერქანი მძიმეა, მაგრამ მყიფე და მტვრევადი. იყენებენ შეშად, აგრეთვე წვრილი ნაკეთობებისათვის. ცოცხლობს 60 წლამდე. *მ. სახოკია.*

საქშენი



ნახ. 1. ბგერამდელი საქშენის სქემა.

„საქსაშენმასალები", სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსური ინსტიტუტი საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსი, ჩამოყალიბდა თბილისში 1958. მასში შედის სპეციალიზებული საპროექტო-საკონსტრუქტორო და ამამუშავებელ-გამმართავი ორგანიზაცია „ორგტექსაშენმასალები", აგრეთვე საცდელი ქ-ნა. ინ-ტში მიმდინარეობს შესამოსი საკედლე მასალის, მინის ნაკეთობების, ცემენტისა და ადგილ. მჭიდა მასალის, თბო- და ბგერათსაიზოლაციო მასალების, ბუნებრივი ქვების, ფორიანი შემვსებებისა და არამადნეული მასალის, სილიკატური და ცემენტიანი ბეტონის ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოების ტექნოლ. და გამოყენების კვლევა. „ს." ატარებს საცდელ-სამრეწვ. გამოცდებს საქ. სსრ საშენ მასალათა მრეწვ. და სამშენებლო ინდუსტრ. დარგში, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ამუშავებაგამართვის სამუშაოებს, ტექ. დახმარებას უწევს საწარმოებს. ინ-ტი გამოსცემს სამეცნ. შრომების კრებულს. ინ-ტთან არის ასპირანტურა და ინჟინერ-ტექ. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. *ო. კეცხოველი.*



ნახ. 2. ზებგერითი საქშენის (ლავალის საქშენის) სქემა.

საქსე ანა [დ. 3 (16). I. 1905, ვალკის მაზრა, ახლანდ. გულბენეს რ-ნი], ლატვიელი საბჭ. მწერალი. ლატვ. სსრ სახ. მწერალი (1965). ლატვ. სოფლის სოციალ. გარდაქმნას მიუძღვნა რომანი „აღმართი" (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949). რომანში „ნაპერწკლები ღამეში" (ტ. 1—2, 1951—57; ლატვ. სსრ სახელმწ. პრემია, 1959) ასახულია ინტელიგენციის ცხოვრება ბურჟ. ლატვიაში. ს. სსრკ III—IV მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 3 სხვ. ორდენით და მედლებით.

საქსები (Sachsen), გერმანელი ტომების ჯგუფი, რ-იც III—IV სს-ში ტომთა კავშირში გაერთიანდა. ადრინდ. შუა საუკ. ს-ს ეკავათ ტერიტორია ჩრდ. გერმანიაში—რაინის აღმ-ით და ელბის დას-ით; V ს. შუა წლებში — VI ს. I ნახევარში ს-ის ნაწილი ბრიტანეთში გადასახლდა. კონტინენტზე მობინადრე ს. VI—VIII სს-ში იყოფოდნენ ვესტფალებად, ოსტფალებად, ანგრარიებად (ენგრები) და ნორდალბინგებად. ს-ის სოც. წყობილება (იხ. „ბარბაროსთა სამართლის წიგნები") განვითარდა ანტ. მონათმფლობელურ ურთიერთობათა გავლენის გარეშე, ინარჩუნებდა არქაულ ფორმებს და მკვეთრი სოც. დიფერენციაციით გამოირჩეოდა. ს. იყოფოდნენ ედელინგებად (გვაროვნ. დიდკაცობა) და ფრილინგებად (თავისუფალთა შედარებით დაბალი სოც. ფენა); *კარლოს დიდის* საქსონიური ომების (772—804) შემდეგ ს. ფრანკებმა დაიპყრეს, რასაც შედეგად ს-ში ფეოდ. ურთიერთობათა ძალდატანებითი დანერგვა მოჰყვა. ფეოდ. დამოკიდებულების წინააღმდეგ მიმართული იყო *სტელინგის აჯანყება* (841—843). 843 ს-ის ოლქი აღმ. ფრანკთა სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა. IX ს. დასასრ. აქ ჩამოყალიბდა საქსონიის საჰერცოგო. ს. ე. წ. ქვემო საქსონიელთა ეთნიკურ ბირთვს შეადგენდნენ.

საქსების სამართალი, იხ. სტ. *ბარბაროსთა სამართლის წიგნები.*

საქსი (Sax) ადოლფ (ანტუან ჟოზეფ) (6. XI. 1814, დინანი, ბელგია, — 4. II. 1894, პარიზი), სასულე საკრავების ბელგიელი ოსტატი. მუშაობდა ბრიუსელში, 1836-იდან პარიზში. გააუმჯობესა მრავალი სასულე მუს. საკრავი. გამოიგონა საქსოფონი და სასულე საკრავთა მთელი ოჯახი—საქსჰორნები (პატენტები 1845, პარიზი).

საქსი, ზაქსი (Sachs) იულიუს (2. X. 1832, ბრესლაუ, ახლანდ. ვროცლავი, პოლონეთი, — 29. V. 1897, ვიურცბურგი), გერმანელი ბოტანიკოსი. ფართოდ იყენებდა ექსპერ. მეთოდს მცენარეთა ფიზიოლ. საკითხების შესწავლისას. ს-ის ძირითადი ნაშრომები ეხება *ფოტოსინთეზის* პროცესს, ნივთიერებათა გადაადგილებას მცენარეებში, მათ შინერ. კვებას, წყლის რეჟიმს, ზრდასა და მოძრაობას, თესლის გაღივებას, აგრეთვე მცენარეთა ფიზიოლ., ანატომიისა და ბოტან. ისტორიის საკითხებს.

საქსოვი დაზგა, ქსოვილის გამოსამუშავებელი საფეიქრო მრეწველობის მანქანა. ს. დ-ზე *ქსელი*, რ-იც შედგება პარალელურად განლაგებული ძაფებისაგან, გადმოეხევა საქსელურიდან, იჭიმება დაზგის გასწვრივ და ნელა მოძრაობს. ს. დ-ის ცენტრში არის ხახის წარმომქმნელი მექანიზმი, რ-იც ჰყოფს ქსლის ძაფებს და წარმოქმნის რომბისებრ სივრცეს — ე. წ. ხახას, სადაც მაქოს საშუალებით იჭრება *მისაქსელის* ძაფები. ეს ძაფები გაყრის შემდეგ სავარცხლით მიეკვრება ქსოვილის ქობას. სასაქონლო რეგულატორი დაამუშავებს ქსოვილს, გამოიტანს მუშა ზონიდან და დაახვევს სასაქონლო ლილვაკზე. ს. დ. არის ხელის, მექან. და ავტომ., ერთდა მრავალმაქოიანი. პერსპექტიულია უმაქოო დაზგები. თანამედროვე ს. დ-ები თითქმის მთლიანად ავტომატიზებულია.

ლიტ.: Пневморапирные ткацкие станки, М., 1974; Тошилин А. П., Казуров А. А., Яполький В. А., Высокопроизводительные автоматические ткацкие станки типа СТБ, М., 1969.

საქსონ გრამატიკოსი (Saxo Grammaticus, დან. Sakse), (დაახლ. 1140—დაახლ. 1208), დანიელი მემატიანე. წერდა ლათ. ენაზე. ეკუთვნის ვრცელი თხზ. „დანიელთა საქმენი" (ან „დანიის ისტორია"), რ-ის პირველი 9 წიგნი მოიცავს პერიოდს დაახლ. 950-მდე და ეყრდნობა სკანდ. მითებსა და თქმულებებს. დანარჩენ 7 წიგნში გადმოცემულია დან. ისტორიის მდიდარი მასალა დაახლ. 1185-მდე. თხზულებაში შესული ერთ-ერთი თქმულება ამლეთუსზე გამოიყენა უ. შექსპირმა თავის ტრაგედიაში „ჰამლეტი".

საქსონია (Sachsen), გდრ-ის ისტორიული ოლქი, რ-ის ბირთვი მაისენის მარკა იყო. 1089 ს. ვეტინთა ფეოდ. გვარის სა ფლობელო გახდა. 1247 (ფაქტობრივად 1264) მათ შეიერთეს თიურინგია, 142 საქსენ-ვიტენბერგი, მიიღეს კურფიურსტი ტიტული. 1485 ს. ვეტინთა სახლის წე რებს შორის დანაწილდა. XV—XVI ს ს. კაპიტალ. ურთიერთობათა ჩასახვა-გა ვითარების (სამთო მრეწვ., წიგნის ბეჭდ და სხვ.) ერთ-ერთი მთავარი რ-ნი და კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. XVI ს-ში დაიწყო *რეფორმაცია*. ს. გერმან აში გლეხთა ომის 1524—26 მთავარი ასპ რეზი იყო. 1547 ს-ის თითქმის მთელი წა-წყალი გააერთიანა ჰერცოგმა მორი საქსონელმა. *ოცდაათწლიანი ომის* (1618 48) დროს ს. არაერთხელ ააწიოკეს. XVI ს-ში ს. მონაწილეობდა ჩრდილოეთის ო ში (1700—21), *შვიდწლიან ომში* (1756 63) (დაიპყრო პრუსიამ), აგრეთვე საფ რევოლუციის, ხოლო XIX ს. დასაწყის ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ ომებში, ნაპ ლეონის მხარეზე გადასვლის შემდეგ (180 სამეფოდ იქცა. *ვენის კონგრესის* (1814 15) გადაწყვეტილებით ს-ის ტერიტ. თით მის ნახევარი პრუსიას გადაეცა. სახ. მღვ გარებათა და საფრ. იელ. რევ. (183 გავლენით 1831 მიიღეს ზომიერი ლიბე კონსტიტუცია. ს. გერმ. 1848—49 რ ერთ-ერთი კერა იყო. 1866 ავსტრ. მხარე მონაწილეობდა ავსტრია-პრუსიის ომშ 1867 შევიდა ჩრდ. გერმ. კავშირში, ხოლ 1871 გერმ. იმპერიის შემადგენლობაშ XIX ს-ში ს. მუშათა მოძრაობისა და გერ სოც.-დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ც საყრდენი გახდა. 1918 ნოემბ. რევ. შედ გად გაუქმდა მონარქია, ს. გერმ. რეს შემადგენლობაში შევიდა. 1923 ოქ ს-ში შეიქმნა მუშათა მთავრობა, რ-იც მთა რობის ჯარებმა გარეკეს. 1945 ფაშისტ რი გერმ. განადგურების შემდეგ ს. საბ საოკუპაციო ზონაში, ხოლო 1949 გდრ შემადგენლობაში შევიდა.

საქსონიის არჩე (გერმ. Sachsenspiegel), შუა საუკუნეების გერმანული ფეოდ ლური ჩვეულებითი სამართლის კრებ ლი. შეადგინა 1221—25 მოსამართლე ეი ფონ რეპკოვმა. ძირითადად აღმ. საქსო ში მოქმედი ჩვეულებითი სამართ. ნო მების არაოფიც. ჩანაწერია, რ-საც გერ სხვა მხარეებში მოქმედი სამართ. ნორ ბიც დაემატა. ს. ს. შედგება 2 ნაწილისაგ ქვეყნის (მიწის) სამართა (Landrecht), რ-იც ასახავდა სახელ სამართ., აგრეთვე სისხლისა და სამო ლაქო სამართ., სამართალწარმოების ნო მებს, და ლენური (საადგილმამულ სამართალი (Lehnrecht), რ-იც აწესრ გებდა სენიორულ-ვასალურ ურთიერთ ბას. ს. ს. მეფის ხელისუფლების გ ლიერების და სას. პირთა ძალაუფლე შეზღუდვის იდეას ავითარებდა. იგი პულარობით სარგებლობდა შუა საუკ. გ მანიაში. საფუძვლად დაედო *მაგდებურგ სამართალს*. თიურინგიაში ს. ს-ს XIX ბოლომდე იყენებდნენ. *გ. ნადარეიშვილ*

საქსონიის ფაიფური, იხ. *მაისენის ფაფური.*

საქსონიის შვეიცარია (Sächsische Schweiz), პლატოსებრი დაბალმთიანე გდრ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, საქსონიის სიმაღლე 500—700 *მ*. უმთავრესად აგე ლია მეზოზოური ქვიშაქვებითა და კო ლომერატებით. დანაწევრებულია მდ. ბითა და მისი შენაკადებით. განვითარე ლია რელიეფის ეროზიული ფორმები, გივრთი ადგილი მიემსგავსება შეიცარ ლანდშაფტს. ტურიზმი.

საქსონიური დინასტია, გერმანელ ფეოდ (919—1024) და „საღვთო რო იმპერატორთა" (962-იდან) დინასტია. ძემდებელი იყო ჰაინრიხ I „ფოგლერ (ფრინველმჭერი, მეფე—919—936). მისი მკვიდრები იყვნენ: ოტო I (936—973, 9 იდან იმპერატორი), ოტო II (973—98 ოტო III (983—1022). ოტო III-ის გარდ ვალების შემდეგ ს. დ-ის პირდაპირი შ

შეწყდა. მეფე გახდა ს. დ-ის გვერდით შტოს წარმომადგენელი, ბავარიის ჰერცოგი ჰაინრიხი (ჰაინრიხ II, მეფე 1002–24). ს. დ. *ფრანკონიულმა დინასტიამ* შეცვალა.

საქსოფონი (გამომგონებლის გვარი — *საქსი* და ბერძნ. phōnē — ბგერა). სასულე მუსიკალური საკრავი. გამოიგონა ბელგ. ოსტატმა ა. საქსმა. წარმოადგენს სარაბოლურ მილს, რ-საც აქვს ნისკარტიებური მუნდშტუკი და ცალფა ღერო. ს-ის ოჯახი შედგება 7 ნაირსახეობისაგან — სოპრანინოდან კონტრაბასამდე. ს. ჯაზური ორკესტრის ძირითადი საკრავია. იხმარება სასულე, საესტრადო და სიმფ. ორკესტრებში, აგრეთვე სოლო შესრულებისათვის.

საქსჰორნები (გამომგონებლის გვარი— *საქსი* და გერმ. Horn — რქა), სასულე ხუნდშტუკიან საკრავთა ოჯახი, რ-ის კონსტრუქტორია ა. საქსი. გამოირჩევა მენზურისა და ფორმის (ტუბისებური) ერთგვაროვნებით. თავდაპირველად ს-ის 7, შემდეგ კი 9 ნაირსახეობა არსებობდა (სოპრანინოდან კონტრაბასამდე). ჯუნ. პრაქტიკაში ს-ს ფართოდ უწოდებენ ჩვეულებრივ სპილენძის სასულე საკრავების 3 ნაირსახეობას — ალტს, ტენორსა და ბარიტონს.

საძურკე მეცხვარეობაში, ცხვრის მოშენება მაღალხარისხოვანი საქურქე ტყავის (ტყაპუჭის) მისაღებად. ტყავის ხარისხის სახედვით ცხვრების ხანგრძლივი, მიზნობრივი გადარჩევისა და შერჩევის შედეგად XVIII ს. დამლევს რუსეთში გამოიყვანეს რომანოვული ცხვარი, რ-იც თანამედროვე საქურქე მიმართულების ჯიშია. იგი მრავალნაყოფიანია და შეუძლია 2 წლის განმავლობაში 3 ბატკანი მოგვცეს. შედარებით ცუდეთესი საქურქე ტყავი მიიღება 5–8-თვიანი მოზარდეულისაგან.

საძვენი, სპეციალურად დაპროფილებული დახურული არხი, რ-ის დანიშნულებაა სითხის ან აირის მოცემული სიჩქარით გაქაჩება და ნაკადისათვის საჭირო მიმართულების მიცემა. ს. აგრეთვე აირისა და სითხის ჭავლების მისაღები მოწყობილობაა. მისი განივკვეთი შეიძლება იყოს მართკუთხა (ბრტყელი ს.), მრგვალი (სიმეტრიულღერძიანი ს.) ან ნებისმიერი ფორმისა (სივრცული ს.). ს-ში ხდება სითხის ან აირის დინების მიმართულებით სიჩქარის წნევეტი გადიდება — v_0-იდან (ს-ის შესავალ ნაწილში) v_a-მდე (გამოსასვლელში). ენერგიის შენახვის კანონის შესაბამისად სიჩქარის ზრდასთან ერთად ს-ში წნევისა და ტემპ-რის საწყისი მნიშვნელობანი (p_0, T_0) უწყვეტად ეცემა გამოსასვლელში მინ. მნიშვნელობამდე (p_a, T_a). ამრიგად, ს-ში დინების სარეალიზაციოდ საჭიროა წნევათა ვარდნილის (სხვაობის) შექმნა. ე. ი. უნდა შესრულდეს პირობა $p_0 > p_a$, T_0-ის გადიდებისას სიჩქარის ს-ის ყველა განივკვეთში მატულობს საწყისი პოტენციური ენერგიის ზრდასთან დაკავშირებით. სანამ ს-ში სითხის ან აირის დინების სიჩქარე არ არის დიდი, საერთოდ მცირეა წნევისა და ტემპ-რის ცვლილებაც. ამიტომ სითხის ან აირის ნაკადობის თვისება ჯერ არ ვლინდება და დინების მიმართულებით გარემოს სიმკვრივის (ρ) ცვლილების სიდიდე შეიძლება უგულებელვყოთ. ამ პირობებში სიჩქარის უწყვეტი გადიდებისათვის ს-ს უნდა ჰქონდეს ვიწროვდებადი ფორმა, რადგან უწყვეტობის განტოლების შესაბამისად $\rho S v = \text{const}$. ს-ის განივკვეთი (S) უნდა მცირდებოდეს სიჩქარის ზრდის პროპორციულად. სიჩქარის (v) შემდეგ ზრდისას თავს იჩენს გარემოს კუმშვადობა, მისი სიმკვრივე ნაკადის დინების მიმართულებით მცირდება. როცა $v < a$ (a აირის მოძრავ გარემოში ბგერის გავრცელების ადგილ. სიჩქარე), აირის სიმკვრივის დაცემის ტემპი ჩამორჩება სიჩქარის ზრდის ტემპს. ამის გამო გაქანების ზრუნველსაყოფად (ე. ი. v გასადიდებლად), საჭიროა S-ის შემცირება — ბგერითი ს. (ნახ. 1). ჭავლის გაქანებისას $v > a$, სიმკვრივის დაცემა უფრო სწრაფად ხდება ვიდრე სიჩქარის ზრდა, ამიტომ ს-ის ზებგერით უბანზე საჭიროა ფართობის (S) გადიდება — ე. წ. ზებგერითი ს., რ-საც უწოდებენ ლავალის საქშენს (ნახ. 2). ბგერამდელი ს-ის გამოსასვლელში p_a წნევა ყოველთვის უდრის გარემოს p_e წნევას, ზებგერითი ს. გამოსასვლელში კი შესაძლებელია $p_a \neq p_e$.

ს-ს ფართოდ იყენებენ ორთქლისა და აირის ტურბინებში, რაკეტულ, საჰაერორეაქტიულ ძრავებში, აირდინამ. ლაზერებში, აეროდინამ. მილებში, ჭავლურ აპარატებში, ხარჯსაზომებში და სხვ.

საქჩე-ბოზუ (Sakçe Gözü), სოფელი ქ. ისლაჰიეს ჩრდ.-აღმ-ით 25 *კმ*-ზე (თურქეთი), რ-თან ახლოს ინგლ. არქეოლ. ჯ. გარსტანგმა აღმოაჩინა გამაგრებული სასახლე (ეკუთვნის ხეთურის შემდგომ ხანას), უძველესი სახელწოდება უცნობია. გათხარეს 1907–08, 1911 და 1949. სასახლეს ფასადის მხარეს შუაში პორტიკი და გვერდებზე 2 კოშკი აქვს. სვეტების ბაზები, რელიეფები შესრულებულია ძვ. წ. VIII ს-ში სირიულ-ხეთური სტილით, რ-საც არამეულისა და ასურულის გავლენა ეტყობა. აქვე აღმოჩნდა ფრინველისთავიანი გრიფონის გამოსახულება. სასახლე აგებული იყო ბორცვზე, სადაც აღმოჩნდა ძვ. წ VI ათასწლ — ძვ. წ. II ათასწლ. კულტ. ფენები.

სალამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 1958-იდან ეწოდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს. ს. (ც.) ს. ზ. ს-ის შემადგენლობაშია მე-9—მე-11 კლასები. მოსწავლეებისათვის, რ-ებმაც თავის დროზე ვერ მიიღეს რვაწლიანი განათლება, სათანადოდ იქმნება რვაწლედის კლასები. იმ ადგილებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, ზოგადსაგანმან. სკოლებში საღამოს სკოლის კლასები იქმნება, რ-ებიც მუშაობს საღამოს განათლების სისტემით. ქალაქის ს. (ც.) ს. ზ. ს-ებში სასწ. წელი 36 კვირაა, სოფლად — 28 კვირა. კვირაში 3–4 სასწ. დღეა. 1985 სსრკ-ში იყო ყველა სახის 10 ათ-ზე მეტი, საქ. სსრ-ში 158 ს. (ც.). ს. ზ. ს.

სალამოს ტბა, ტბა ჯავახეთში, ზ. დ. 1996 *მ*. სარკის ფართ. 4,8 $км^2$, უდიდესი სიღრმე 2,3 *მ*. საშ. სიღრმე 1,6 *მ*. წყლის მოცულობა 7,7 მლნ. $м^3$, წყალშემკრები აუზის ფართ. 528 $км^2$. ტექტონ. წარმოშობისაა, ტრაპეციის ფორმა აქვს. საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლით. მაქს. დონე მაისშია, მინ. — სექტემბერში. ტბაზე გაედინება მდ. ფარავანი. ივლისში ზედაპირული წყლის ტემპრა 14,4°C. ზამთარში იყინება 4,5 თვით. წყალი მტკნარია. ტბა მდიდარია თევზით.

ს. ტ-ის გასწვრივ, სატრანზიტო გზის გაყოლებით, მდებარეობს ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები — 3 ეკლესია, ხოლო მე-4 მაღალ მთაზეა აღმართული. 3 ეკლესიიდან ყველაზე ადრინდ. და გამორჩეულია უკიდურეს ჩრდ-ით მდებარე X ს. მოზრდილი დარბაზული ეკლესია, მისი შესასვლელი მოწყობილია შედარებით მოგვიანო ხანის სამხრეთის მინაშენიდან, რ-ის ერთი მხარე შუა სვეტზე დაყრდნობილი ორი თაღითაა გახსნილი. ნაგებობა თავდაპირველად კამარით იყო გადახურული, ახლა ხის ბრტყელი მიწური სახურავი აქვს. კედლები შემოსილია კარგად გათლილი, სწორად ნაწყობი კვადრებით, ხოლო კარ-სარკმელთა სათაურები შემკულია ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმებით, სიუჟეტური სტელებისა და ადამიანთა ფიგურების გამოსახულებებით. თღილი ქვით ნაგები მეორე ეკლესიაც დარბაზულია. მიეკუთვნება XIII ს. აქაც კამარა ხის ბანური გადახურვითაა შეცვლილი. მორთულობა ბუნწია. მესამე სამხრ. ეკლესიაც XIII ს. მიეკუთვნება. იგი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემონახული. მთაზე აღმართული ეკლესია განვითარებული შუა საუკ. ხანისაა. იგი ძლიერ დანგრეულია. *რ. მეფისაშვილი.*

სალანძილე, მთა იალნოს ქედის სამხრ. კალთაზე. სიმაღლე 1337 *მ*. აგებულია ნეოგენური ასაკის ფხვიერი ნალექებით. გუმბათისებრი ფორმისაა. აქვს სუსტად დანაწევრებული ტყით შემოსილი კალთები.



გ. ი. საღარაძე.

სალანძილე, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში, მდ. ჩხერიმელის მარცხ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ვანი, ზარანი, სხლითი). ზ. დ. 520 *მ*, ორჯონიკიძიდან 3 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხოველეობა, მემინდვრეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სალარაძე გიორგი ილარიონის ძე (25. X. 1906, ქუთაისი, — 12. IV. 1980, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1950). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). სკკპ წევრი 1941-იდან. 1926 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული სტუდია და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში. ასრულებდა გმირული, რომანტ. ხასიათის როლებს: ლარბი და არსენა (შანშიაშვილის „ანზორი“ და „არსენა“), კარლ მოორი (შილერის „ყაჩაღები“), ბერსენევი (ლავრენიოვის „რღვევა“), შუქრი (მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), კარპუზი (ი. ვაკელის „რვალი“). კრეონი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), ფოსტალიონი (ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“). გიორგი თუბარელი (ს. კლდიაშვილის „ქარიშხლის წინ“) და სხვ.

ს. მოღვაწეობდა ქართ. ესტრადაზეც. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

ლიტ.: საყვარელიძე ე., გიორგი საღარაძე. თბ., 1978. კ. ნინიკაშვილი.

სალარაძე გურამ გიორგის ძე (დ. 12. I. 1929, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1973). სსრკ სახელმწ. (1979) და შოთა რუსთაველის სახ. (1976) პრემიების ლაურეატი. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტი (1951) და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში. როლები: სისო (ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“), თესევსი, მასხარა და იულიუს კეისარი (შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მეფე ლირი“ და „იულიუს კეისარი“), ჰეილი (მილერის „სეილემის პროცესი“), ტიპოტესკუ (კარაჯალეს „დაკარგული ბარათი“), დურსუნი და ჭეიშვილი (ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“ და „საბრალდებო დასკვნა“), მინდია (გამსახურდიას „ზოგაის მინდია“), შუ ფუ, თავადი ყაზბეგი, ეფრეიტორი, ბერი (ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ და „კავკასიური ცარცის წრე“), ტომი (ტ. უილიამზის „შუშის სამზეცე“), გიორგი ჯაფარიძე (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“), უჩა (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“) და სხვ. ს. ემოციური, ფართო დიაპაზონის მსახიობი და მხატვრული კითხვის ოსტატია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. *კ. ნინიკაშვილი.*



გ. გ. საღარაძე.


სალარაძე გურამ რევაზის ძე (დ. 21. III. 1989, თბილისი), ქართველი საბჭ. სპორტსმენი, მოჭიდავე (თავისუფალი სტილი), სსრკ სპორტის ოსტატი (1958), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1965). სკკპ წევრი 1963-დან. 1967 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის კვების მრეწვ. ტექნოლ. ფაკ-ტი. სსრკ სამგზის (1964 — 66), მსოფლიოს ორგზის (1963, სოფია; 1965, მანჩესტერი) ჩემპიონი; XVIII ოლიმპიური თამაშების (1964, ტოკიო) და მსოფლიოს ჩემპიონატების [1966, 67] ვერცხლის პრიზიორი. ს. გამოირჩევა დიდი ფიზ. ძალით, რასაც ემყარება მისი ჭიდაობის ტექნიკა. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით. *ი. ალიხანოვი.*



გ. ო. საღარაძე.



საღოლაშენი. წმ. მარიამის ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები.



ა



ბ

სალუნი მანქანა: ა — ფურცელსალუნი მრუდმხარა წნეხი; ბ—მილსალუნი მანქანა.

სალებავი, ლაქსაღებავი ნივთიერება, რ-იც შედგება *აფსკწარმომქმნელი ნივთიერებისა* და *წვრილდისპერსიული პიგმენტებისაგან*. ს. შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე *გამხსნელს, შემსებს, სიკატივს, პლასტიფიკატორს* და სხვ. დანიშნულების მიხედვით ს. არის სამშენებლო, პოლიგრაფიული და სხვ.

სამხატვრო ს-ის გამოყენების შესახებ იხ. *აკვარელი, გუაში, ზეთით ფერწერა, პასტელი, ტემპერა, ფრესკა, ცვილოვანი ფერწერა.*

ლიტ.: Гольдберг М. М., Материалы для лакокрасочных покрытий, М., 1972; Кипник Д. И., Техника живописи, 6 изд., М.—Л., 1950.

სალებავი, პოლიგრაფიული, *პიგმენტისა* და *მჭიდა ნივთიერების* თანაბარზომიერი ნარევი, რ-ის მეშვეობით მიიღება ერთ- ან მრავალფერი გამოსახულება ქაღალდზე, მუყაოზე, ქსოვილზე, თუნუქზე აგრეთვე შეფუთვისა და ნიშანდებისათვის განკუთვნილ მასალაზე. ს-ის დადება ხდება სხვადასხვა კონსტრუქციის საბეჭდი მანქანებით (სიჩქარე 40 ათ. ანაბეჭდამდე 1 *სთ*-ში); ამ დროს ს. გადადის ჯერ საბეჭდი ფორმის ელემენტებზე, შემდეგ კი — საბეჭდი ცილინდრის დაწოლით — დასაბეჭდ მასალაზე. ანაბეჭდზე მოხვედრილი საღებავის შრის სისქე დამოკიდებულია ბეჭდვის ხერხზე (ჩვეულებრივ 0,8—60 *მკმ*-ის ტოლია). ტექ. პირობების შესაბამისად ს. უნდა აკმაყოფილებდეს სტრუქტურულ-მექან. და ოპტ. მოთხოვნებს, უნდა პასუხობდეს მჭიდა მასალაში პიგმენტის დისპერსირების ხარისხს, ანაბეჭდზე დამაგრების პირობას და ა. შ. პოლიგრ. ს-ის კლასიფიკაცია ხდება ნავარაუდევი ბეჭდვის ხერხის, საბეჭდი მანქანის კონსტრუქციისა და სიჩქარის, მუშაობის ხასიათისა და ქაღალდის ხარისხის მიხედვით. ყოველ ს-ს დანიშნულების შესაბამისად მიაკუთვნებენ ე წ. სასაქონლო ნომერს.

სალებავი მცენარეები, მცენარეები, რ-ებიც სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში გამომუშავებენ და შეიცავენ პლასტიდებში მყოფ ან უჯრედის წვენში გახსნილ საღებავ ნივთიერებებს. ასეთი მცენარე ბევრია. ადრე ქსოვილების შესაღებავად ძირითადად მცენარეულ საღებავებს ხმარობდნენ. შემდეგ ისინი უფრო იაფმა სინთეზურმა საღებავებმა შეცვალა, თუმცა ზოგჯერ (ხალიჩების წარმოებაში და საკვები პროდუქტების შესაფერად) დღესაც მხოლოდ მცენარეულ საღებავებს იყენებენ. კარგად ცნობილი ს. მ-ია ინდიგოფერას სახეობები (იძლევიან ინდიგოს და ბასმას); ბაყმის ხე (შეიცავს ჰემატოქსილინს); ღვია (გირჩები, ანუ „კენკრები" შეიცავს ყვითელ, ყავისფერ, მომწვანო-მორუხო საღებავის მომცემ ნივთიერებებს); ხახვი (ქერქლის ნახარშში ყავისფერი საღებავია); ზაფრანა (ბუტკოს დინგი შეიცავს ფორთოხლისფერ საღებავს, იყენებენ საკვები პროდუქტების შესაფერად); კურდღლისცოცხა (ყვავილსა და ფოთოლში ყვითელი საღებავია, ხმარობენ ხალიჩების წარმოებაში); მათრახა (ნორჩი ფოთლების წვენი შეიცავს ლურჯ საღებავს — ინდიგოს); ენდრო (ფესვში წითელი საღებავი ენდროა); ინა (ფესვში ფორთოხლისფერი საღებავი ინაა). მღიერის ბევრი სახეობიდან იღებენ *ლაკმუსს* და სხვ.

სალებავარი, ფერადი ორგანული ნაერთი, რ-საც იყენებენ საფეიქრო მასალის, ტყავის, ქაღალდის, პლასტმასების, რეზინისა და სხვ. შესაღებად. ს-ებია აგრეთვე ისეთი უფერული ნაერთები, რ-თაგან შეღებილი ნაერთები წარმოიქმნება მასალაზე მათი დატანის შემდეგ, მაგ., ს. ცივად ღებვისათვის, აგრეთვე ოპტიკური მათეთრებლები. ბუნებრივი ს-ები — *ალიზარინი, ინდიგო* და სხვ. ცნობილია უძველესი დროიდან. მათ ამზადებენ ძირითადად საღებავი მცენარეებისაგან, ზოგიერთს კი ცხოველური ორგანიზმებისაგან. პირველი სინთეზური ს. 1856 ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიიღეს პოლ. ქიმიკოსმა ი. ნატანსონმა (ფუქსინი) და ინგლ. ქიმიკოსმა უ. პერკინმა (მოვეინი). 1857 დაიწყო მოვეინის სამრეწვ. წარმოება. 1869 სინთეზირებით მიიღეს ალიზარინი (გერმ. ქიმიკოსები: კ. გრებე და კ. ლიბერმანი), ხოლო შემდეგ მრავალი სხვა სინთეზური ს., რ-ებიც თვისებებით ბევრად უკეთესი იყო ბუნებრივ ს-ზე. XX ს. დასაწყისისათვის სინთეზურმა ს-მა მთლიანად შეცვალა ნატურალური. სინთეზური ს-ის ქიმ. და ტექნოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. *ზინინის* მიერ აღმოჩენილ არომატული ამინების მიღების ზოგად მეთოდს (იხ. *ზინინის რეაქცია*).

ქიმ. აღნაგობის მიხედვით ს. იყოფა რამდენიმე ჯგუფად: *ნიტროსაღებრები, ნიტროზოსაღებრები, აზოსაღებრები, ინდიგოიდური საღებრები,* არილმეთანური, ქინონიმინური, გოგირდოვანი, ანთრაქინონური, პოლიციკლური, ფთალოციანინური, პოლიმეთინური, აზომეთინური და სხვ. ს-ები, ტექ. კლასიფიკაციის მიხედვით ს. არის მჟავური, პირდაპირი, კუბური, გოგირდოვანი, ფერმჭერი, ფუძე, კატიონური, აქტიური, დისპერსიული, პიგმენტები და ლაქები და ა. შ. ს-ის წარმოების ნედლეულია არომატული და ჰეტეროციკლური ნაერთები, სხვადასხვა მჟავა, ტუტე, მარილი, სპირტი და სხვ. ნივთიერებები. ჯერ ღებულობენ ე. წ. შუალედურ პროდუქტებს, რ-ებსაც შემდეგ გარდაქმნიან ს-ად კონდენსაციის, დიაზოტირების, აზოშეუღლების, ჟანგვისა და სხვა რეაქციების საშუალებით.

ს-ს იყენებენ აგრეთვე ფერად და შავთეთრ კინემატოგრაფიასა და ფოტოგრაფიაში, ანალიზ. ქიმიაში, მედიცინაში (დიაგნოსტიკის საშუალებად) და სხვ.

ლიტ.: Венкатараман К., Химия синтетических красителей, пер. с англ., т. 1—2, Л., 1956—57; Чекалин М. А., Пессет Б. В., Иоффе Б. А., Технология органических красителей и промежуточных продуктов, Л., 1972.

სალეჭი კუნთები, ღეჭვის პროცესთან დაკავშირებული 4 წყვილი კუნთი. ს. ჰ-ს განეკუთვნება ზედაპირულად მდებარე სალეჭი, საფეთქლისა და ღრმად მდებარე შიგნითა და გარეთა ფრთისებრი კუნთები. ს. ჰ. ამოძრავებს ქვედა ყბას, რაც უზრუნველყოფს ზედა და ქვედა ყბების კბილებს შორის მოქცეული საკვების დაქუცმაცებას (დაღეჭვას) ან საკვების ძირითადი მასიდან ნაწილის მოცილებას (მოკბეჩას). ს. ჰ. მეტ-ნაკლებად მონაწილეობს ყლაპვისა და მთქნარების აქტში და ბგერათა წარმოქმნაში.

სალეჭი პილპილი, იგივეა, რაც *ბეტელი.*

სალესიჩავო, სოფელი ხობის რ-ნში (ქვემო ჭალადიდის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 4 *მ*, ხობიდან 24 *კმ*, ჭალადიდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. საბაჟოში (6 *კმ*).

სალეთო, სამღვთო, ღვთაებისადმი განკუთვნილი დღეობა, რ-საც მართავდა სოფლის თემი ან ოჯახი. კოლექტ. ს. იცოდნენ დარ-ავდრის, ხვნა-თესვის, ჭირნახულის სიუხვის, თიბვის კარგად დასრულების, გადამდებ სნეულებათა არიდების და სხვ. მიზნით. ს-ს ყოველწლიურად იხდიდნენ ამქრული ორგანიზაციები ხელობასა და ვაჭრობაში ხელის მოსამართავად.

ოჯახი ს-ს მართავდა სახლის აშენების, ვაჟის შეძენის, ავადმყოფის განკურნების და სხვ. შემთხვევისას ღვთაებისათვის ს-ს შეპირების შემდეგ.

კოლექტ. ს-ს მართავდნენ სოფელში შეკრებილი სურსათით, საკლავით, ღვინით, სანთლით.

ოჯახი ს-თვის წინასწარ ემზადებოდა. მაგ., ხევსურეთში ლუდს გამოხდიდნენ, მოკეთეებს დაიბარებდნენ, სოფელს დაპატიჟებდნენ მოიწვევდნენ ხუცესს რ-იც „კოდს გახსნიდა", სანთელმიკრული ლუ დიანი თასით მესაღვთოეს შეავედრებდ „მესაღვთოე ანგელოზს", შემდეგ ბანზ დაკლავდნენ 3 საკლავს: ერთს მესაღვთო ანგელოზისთვის, მეორეს — ადგილ. მთა ვარი სალოცავისათვის, მესამეს — აუც ლებლად კვირიასათვის, დაამწყალობებ დნენ ოჯახს, ს-ს ობიექტს. სმის შემდე დადგამდნენ „სადიდებელთ" — იმდენ ლუ დიან თასს, რამდენი ღვთისშვილიც იკოდ ხუცესმა და მათ უმცროს-უფროსობის რიგი მიხედვით, „მოახსენებდა".

ს-ში მხიარულება და სიუხვე უნდა ყო ფილიყო, რათა ღვთაებათა კეთილგან წყობა მოეპოვებინათ.

ლიტ.: Бакалов А., Местные праздники, т., 1936; Вирсаладзе, Хевсурети, Тф., 1934; Хаханов А., Обычай грузинских крестьян при пахании, «Этнографическое обозрение», 1891, № 4; Чурсин Г. Ф., Народные обычаи и верования Кахети, Тфл., 1905. *თ. ოჩიაური*

სალვთო ივოსი (Threskiornis aethiopica), ტანად დიდი ფრინველი ლაკლაკისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 75 *სმ*. აქვს ქვემოთ მოღუნული ნისკარტი გრძელი ფეხები. გავრცელებულია აფრიკაში (საჰარის სამხრ-ით, არაბ. ნ.-კ-ს სამხრ-ით, მადაგასკარზე). სსრკ-ში რეგისტრირებულია ს. ი-ის შემოფრენა კასპიის ზღვაზე. იკვებება თევზით, ქვეწარმავლებით, მოლუსკებით, მწერებით. ძვ. ეგვიპტეში საღვთო ფრინველად ითვლებოდა (აქედან მოდის სახელწოდებაც), რადგანაც მისი მოფრენა ნილოსის აღდებას ემთხვეოდა და, ამდენად, მოსავლის ბედ-იღბალს განსაზღვრავდა.

რ. ჟორდანია

სალვთო კავშირი, ევროპის მონარქიული რეაქციული კავშირი რევოლუციისა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისა და *ვენის კონგრესის* (1814—15) გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფისათვის. 1815 წ. 26 სექტ. ე. წ. ს. კ-ს აქტს ხელი მოაწერეს რუს. იმპ. ალექსანდრე I-მა, ავსტრ. იმპ. ფრანც I-მა და პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ. 1815 წ. 19 ნოემბ. შეუერთდა საფრ. მეფე ლუი XVIII, შემდგომ კი ევრ. მონარქიული უმრავლესობა. ს. კ-ის შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ალექსანდრე I იყო. ფ. ენგელსის თქმით, „საღვთო კავშირი იყო ევროპაში ცარიზმის ჰეგემონობის ნიღაბი". დიდი ბრიტანეთი ს. კ-ის შემადგენლობაში არ შევიდა, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა მის პირველ კონგრესებში. 1818 აახენის კონგრესზე გადაწყდა საფრანგეთიდან საokუპაციო ჯარების გაყვანა და დაისახა ღონისძიებები ვენის კონგრესის მიერ ევროპაში დაწესებული საზღვრებისა და თვითმპყრობელური რეჟიმების განსამტკიცებლად. 18 ტროპაუს კონგრესის ოქმით რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ევრ. სხვა ქვეყნებთან საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევის უფლება მოიპოვეს. 1820—21 ავსტრიის ჩაახშო ნეაპოლისა და პიემონტის (1821) რევოლუცია, ლაიბახის კონგრესის (1821) გადაწყვეტილებით კი ამ ქვეყნებში ავტერენციის სანქციაც მიიღო. ვერონის კონგრესის (1822) დადგენილების ძალით საფრანგეთი შეიჭრა ესპანეთში (1823) და აბსოლ. მონარქია აღადგინა. ვერონის კონგრესზე გამოვლინდა წინააღმდეგობანი ს. კ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის. აგრეთვე ს. კ-ის წევრებს ავსტრია და რუსეთს შორის, ვერონის კონგრესის მიერ დაგმობილ საბერძნ. ეროვნ.-განმათ. აჯანყებისადმი (1821—29) დამოკიდებულების საკითხზე. ამიტომ ვერონის კონგრესი უკანასკნელი აღმოჩნდა. *ი. კობახიძე*

„სალვთო ომები", ომები ძვ. საბერძნეთში ძვ. წ. VI — ძვ. წ. III სს-ში *ამფიქტიონიის* წევრებს შორის საბერძნეთის ჰეგემონობისათვის. ომის საბაბი ხდებოდა რომელიმე წევრის მიერ საერთო დაკან

ებული წესის დარღვევა, ან საერთო ამლოცველოსა და კავშირის ხაზინის ხელოფა (აქედან მოდის სახელწოდებაც „ს.).“). ცნობილია დელფოს ამფიქტიონიის ევრების „ს. ო.“, განსაკუთრებით ძვ. წ. 55 — ძვ. წ. 346 წწ. „ს. ო.“ თებე, ლოკიდა და თესალია ეომებოდნენ ფოკიდას, მ უკანასკნელს ემხრობოდნენ სპარტა და თენი. მაკედონიის მეფის ფილიპე II-ის ხმარებით ფოკიდის ქ-ები გაანადგურეს. ფოკიდის ნაცვლად ამფიქტიონიაში აკედონია შეიყვანეს, რის შედეგადაც მაედონიამ ჩრდ. საბერძნეთში პოზიციები აიმაგრა. ძვ. წ. 340 — ძვ. წ. 339 მაკედონია და ათენი ლოკრიდის ქ. ამფისის ინააღმდეგ იბრძოდნენ; ფილიპე II-მ იღო ქ-ები: ამფისა, ელატეა და შუა საერძნეთშიც მოიკიდა ფეხი.

ᲐᲚᲗᲝ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ, შუა საუკუუების იმპერია. დააარსა 962 გერმ. მეფე ტო I-მა. 962 ს. რ. Ქ-ში შედიოდა გერმაია (იმპერიაში ეკავა გაბატონებული დგომარეობა), იტალ. ნაწილი, ჩეხია, ურგუნდიის სამეფო, ნიდერლანდი, შვეცარიის მიწები და სხვ., რ-ებიც სხვადახვა დროს რეალურად ან ნომინალურად ქვემდებარებოდნენ ს. რ. Ქ-ის იმპერატორებს (იხ. სტ. *„გერმანელი ერის საღვთო ომის იმპერია“*)

ᲐᲚᲘᲠᲐᲯᲘᲜᲘ, ისტორიული სოფელი ქვემო ართლში, ალგეთის ხეობაში, სადირაჯინის ხევის მარცხ. მხარეს; ახლანდ. სოფ. ზლევის (თეთრი წყაროს რ-ნი) აღმ-ით. სტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია VII ს-ში.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვეო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

ᲐᲚᲘᲠᲘᲡᲫᲔᲘᲜᲘ, დას. საქართველოს დიებულთა საგვარეულო XII ს-ში. XII ს. Ქ-იან წლებში ამ საგვარეულოს წარმოადგენელი იყო ქუთათელი ეპისკოპოსი ანონი. ს. დას. საქართვ. სხვა დიდებულებან ერთად მონაწილეობდნენ თამარის ეფედ კურთხევის ცერემონიალში (1184); ათ ვარდანისძეებთან და ამანელისძეებთან რთად ხმალი შემოარტყეს თამარს. XII შემდეგ წყაროებში აღარ იხსენიებიან.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ნ. შოშიაშვილი.

ᲐᲚᲜᲝᲑᲘ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲘ, ჩაის მწვანე ფოთოლის საღნობი და წინასწარ საშრობი აგრეატი (ტენშემცველობა 75—78%-იდან —62%-მდე მცირდება). შ. მარდალეიილის სისტემის უწყვეტი მოქმედების ს. შედგება კონვეიერული კამერის, ცეცხლოვანი კალორიფერის, ვენტილატორისა და შემრევი კამერისაგან. კამერაში თავსებულია ჭადრაკულად განლაგებუი 5 პორიზ. ლენტური კონვეიერი. მათი ზედაპირია ლითონის ბადე, რ-ის ედა შტო მუშაა, ქვედა — უქმი. კამერას ჯგუფება და მარცხენა მხარეზე აქვს ერი კონვეიერიდან მეორეში ჰაერის გასაარებელი არხები. საღნობ ჩაის ფოთოლს ბრილი მკეებავი კონვეიერი ხვიმირს ვდის. ფოთლის თანაბარ მიწოდებას რეგულირებს ორფრთიანი მბრუნავი სანაბრებელი. კონვეიერების მოძრაობის როცესში ჩაის ფოთოლი ზემოდან ქვემოთ ვრება და მე-5 კონვეიერიდან უკვე ღნობადამთავრებული ფოთოლი გამოდის. კონეიერის მუშა და უქმ შტოებს შორის არის ურცლოვანი ფოლადის სიბრტყე, რ-იც ბელ ჰაერს ჩაის ფენაში მიმართავს. ს. ში ჰაერი მოძრაობს ჩაის ფენის პარალურად (დინების პრინციპით). არხებზე წყობილია ჰაერის გასაშვები სარქველი. ცხელი ჰაერი (40—42°C) შედის აგრეატში, გაივლის ჩაის ფენას, რ-იც პირ ზედა კონვეიერზეა, შემდეგ გადავა ადამშვებ არხში, აქედან კი — მეორე კონეიერის ქვეშ, გაივლის მასზე დაყრილ აის ფოთლებს და გადამშვებ არხში გაავა.

ᲡᲐᲚᲘᲚᲐᲫᲔ, სოფელი ქარელის რ-ნში (ბრეთის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმოსავლეთის ფრონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 650 *მ*, ქარელიდან 6 *კმ*. დედოფლის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა. სოფელში დგას განვით. საშ. საუკ. ეკლესია.

ᲡᲐᲚᲝᲠᲔ, საწარმოო დანიშნულების შენობა ღორების შესანახად, როგორც წესი, ასეთი შენობები ერთსართულიანია, იშვიათად — მრავალსართულიანი. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ს-ის შემდეგ ტიპებს: 1. სადედე, რ-შიც არიან ნეზევები (50, 100, 150 ან 200 სული) გოჭებიანად, დაახლოებით 2 თვემდე; 2. შენობა მშრალი და ახლად დამაკებული ღორებისათვის 300—600 სულზე; 3. საგოჭე შენობა, რ-შიც ასხლეტილ გოჭებთან (2-იდან 4 თვემდე) ერთად ჯგუფურ სადგომებში ე. წ. სარემონტო მოზარდეული თავსდება (600—1800 სული); 4. შენობა მწარმოებელი და სარემონტო კერატების შესანახად (30—50 სულზე); 5. გასასუქებელი მოზარდეულის შესანახი შენობა, სადაც შეჰყავთ 30 *კგ*-იანი გოჭები 4—5 თვის განმავლობაში ინტენსიური სუქებისათვის.

ს-ში ცხოველთა სულადობის განსაზღვრა ხდება დაპროექტების ტექნოლ. ნორმების შესაბამისად. ცხოველის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ს. უნდა თბებოდეს (განსაკუთრებით სადაც ბუნებრივი გოჭები არიან), ჰქონდეს ვენტილაცია, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება; შენობის იატაკი, კედლები, გადახურვა დათბუნებული უნდა იყოს. *ზ. ჯანელიძე.*

ᲡᲐᲚᲝᲠᲘᲡᲘ, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში, ახლანდ. დაბა კოჯრის (გარდაბნის რ-ნი) სამხრ.-დას-ით. ისტ. წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

ᲡᲐᲚᲐᲩᲐᲕᲔᲜᲘ (ყოფ. არაშენდა), სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (ჯორჯიაშვილის სოფსაბჭო), მდ. ალგეთის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 720 *მ*, თეთრი წყაროდან 13 *კმ*. ჯორჯიაშვილის მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

ᲡᲐᲚᲐᲯᲘ, სოფელი ადიგენის რ-ნში (ვარხანის სოფსაბჭო), მდ. ოცხის (ქვაბლიანის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1240 *მ*, ადიგენიდან 19 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 *კმ*. ვარხანის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. სკოლა სოფ. ვარხანში (2,5 *კმ*). ბ-კა.


ᲡᲐᲚᲐᲚᲐᲯᲘ, მცენარეთა გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა; იგივეა, რაც *საკმლის ხე*.

ᲡᲐᲚᲔᲜᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ნაგლინისა და მილების ცივ ან ცხელ მდგომარეობაში ღუნვისათვის განკუთვნილი მანქანა. ფურცლოვან ნაგლინს ამუშავებენ ისეთ ფურცელსაღუნ მანქანაზე, რ-თა მუშა მოძრაობა სწორხაზოვანია, აგრეთვე საბრუნ საღუნკოჭიან მანქანებზე და 3- და 4- გლინიან მანქანებზე. სორტულ ნაგლინსა და მილებს ღუნავენ გორგოლაჭებიან სორტულ საღუნ- და მილსაღუნ მანქანებზე. ცხლად და ცივად ღუნვისათვის, სწორებისათვის და ზოლებიდან, კუთხოვანიდან, კვადრატიდან და სხვა სორტული ნაგლინისაგან ჰორიზონტალურად შტამპვისათვის იყენებენ საშტამპ წნეხებს (ბულდოზერებს), აგრეთვე საწრფეველ წნეხებს. დაკალიბრებული მავთულისაგან ან ლენტისაგან წვრილ ნაკეთობას (ჭილიბურებს, სამაგრებს, რადიოაპარატურის დეტალებს და სხვ.) ამზადებენ საღუნ ავტომატებზე.

ᲡᲐᲚᲐᲕᲐᲠᲔ, სოფელი გორის რ-ნში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თებმის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., გულხანდისი, დიდთავი, ზემო ახალსოფელი, ლული, ნადარბაზი, ფელი, ფიცესი, წითელწყარო). ზ. დ. 1240 *მ*, გორიდან 40 *კმ*. მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. სოფელში აღმართულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი—წმ. გიორგის ეკლესია (XV ს.). ეკლესიაში შემონახულია მოხატულობა, ლაპიდარული წარწერები.


ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲒᲔ სამსხმელო წარმოებაში, ხისტი ჩარჩოს (ღია ჭუთის) სახის სამარჯვი, რ-იც განკუთვნილია საყალიბო ნარევის შესაკავებლად ქვიშის ერთჯერადი ყალიბების დამზადებისას, მათი ტრანსპორტირებისა და ლითონით შევსების დროს. ს-ს ამზადებენ ფოლადისაგან, თუჯისა და ალუმინის შენადნობებისაგან.

ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲑᲝ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ, იარაღი, რ-საც იყენებენ ხელით და მანქანური დაყალიბების დროს. საყალიბეში ნარევის ჩასაყრელად, აგრეთვე სხვა დამხმარე სამუშაოებისათვის იყენებენ ბარს; ნარევის შესამჭიდროებლად — ხელის და პნევმ. სატკეპნელას. საყალიბო ნარევის ნაჭარბის მოსაცილებლად — სახაზავ-სახვეტელას, ხოლო საველინაციო არხების შესაქმნელად — ფოლადის ნემსს. მოდელის ამოსაღებად იყენებენ ხრახნიან კაკვს და ჩაქუჩს. ყალიბის ღრუს ასწორებენ და აპირკეთებენ ბრტყელი და მოყვანილი საგლუვით, კოვზით, ლანცეტით და კაკვით, მუშა ზედაპირს კი ღებავენ ქერქლის ან ჯაგრის ფუნჯით.



საყალიბე. სამსხმელო საყალიბე.

ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲑᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ, სამსხმელო წარმოებაში *საყალიბო ნარევებისა* და *საკოპე ნარევების* დასამზადებელი მასალა. განასხვავებენ შემესებ, შემკვრელსა და დამხმარე მასალას. შ ე მ ვ ს ე ბ ი მასალაა კვარცის ქვიშა, დიდცეცხლგამძლე მასალები (მაგ., ქრომიტი, მულტი) და სპეც. მასალა (თუჯის საფანტი, ბურბუშელა). ძირითადი შ ე მ კ ვ რ ე ლ ი მასალაა ცეცხლგამძლე თიხა და ბენტონიტი. შემკვრელებად იყენებენ აგრეთვე სინთეზურ ფისებს, თხევად მინას და სხვ. დ ა მ ხ მ ა რ ე მასალას, რ-იც აუმჯობესებს ნარევისა და სხმულის ხარისხს, განეკუთვნება მინაწვსაწინააღ დანამატები (მაგ. გრაფიტი თუჯისათვის, მარშალიტი ფოლადისათვის), აგრეთვე მასალა ზედაპირული ლეგირებისათვის და სხვ. უკვე გამოყენებულ საყალიბო ნარევს სათანადო დამუშავების (გაცრა, ლითონური ჩანართების მოცილება და სხვ.) ან რეგენერაციის შემდეგ ხელახლა იყენებენ ახ. საყალიბო ნარევის დასამზადებლად.




საყალიბო იარაღი: 1—ხელის სატკეპნელები; 2—პნევმატიკური სატკეპნელა; 3—ნემსები; 4 — ხრახნიანი ამოსაწევი; 5 — ბრტყელი და მოყვანილი საგლუვები; 6 — კოვზი; 7 — საგლუვი; 8—ლანცეტი; 9—კაკვი.

ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲑᲝ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ, *სამსხმელო ყალიბების* დასამზადებელი მოწყობილობა. მუშა პროცესის მიხედვით განასხვავებენ საყალიბო მანქანებს, სილასატყორცნსა და სილასაქრევ მანქანებს. საყალიბო მანქანებით მექანიზებულია საყალიბეში ნარევის შემჭიდროებისა და მოდელის ამოღების პროცესები. მანქანების ერთი ჯგუფი ნახევარყალიბს აბრუნებს 180°-ით და უბიძგებს მას ასაწყობ როლგანგზე. საყალიბო მანქანებს განასხვავებენ მექანიზმის ამმრავისათვის საჭირო ენერგიის, ყალიბში ნარევის შემჭიდროების მეთოდისა და მოდელის ამოღების ხერხის მიხედვით. ზედა ნახევარყალიბების დასამზადებელი მანქანა მუშაობს ქვედა ნახევარყალიბების დასამზადებელ მანქანასთან ერთად. ზედა და ქვედა ყალიბებს ერთ მანქანაზე მხოლოდ მცირე ზომის სხმულებისათვის ამზადებენ. სილასატყორცნებით მექანიზებულია საყალიბეში ნარევის ჩაყრა და მისი დატკეპნა (სატყორცნი თავის მეშვეობით), სილასაქრევი მანქანა ნარევს ამჭიდროებს შეკუმშული ჰაერით. ყალიბიდან მოდელს იღებენ საბრუნ-გამოსაწევი მანქანით.

თანამედროვე სამსხმელო საამქროებში ყალიბების დასამზადებლად იყენებენ აგრეთვე საყალიბო ნახევრად ავტომატებს, ავტომატებსა და ავტომ. ბლოკ-ხაზებს.

ᲡᲐᲧᲐᲚᲘᲑᲝ ᲜᲐᲠᲔᲕᲘ, ქვიშა-თიხის და ცეცხლგამძლე მასალების (შამოტი, აზბესტი, გრაფიტი და სხვ.) ნარევი შემკვრელებთან; იყენებენ ერთჯერადი ან ნა-



საბელავი მანქანა „ურალ—37“.

ხევრად მუდმივი ფალიბების დასამზადებლად. განასხვავებენ თუჯის, ფოლადისა და ფერადი ლითონების სხმულებისათვის განკუთვნილ ს. ნ-ს. ს. ნ. აგრეთვე შეიძლება იყოს მოსაპირკეთებელი, შემფსები, ნედლი, მშრალი, შესაშრობი და ქიმიურად გამაგრებადი ფალიბებისათვის.



საბელოიანი ხელიკი.

საყარაულო, მთა კახეთის კავკასიონის სამხრ. განშტოების საყარაულოს ქედზე. სიმაღლე 1743 *მ*. კონუსისებური ფორმისა, წვერი მნიშვნელოვნად მობრტყელებული აქვს. აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. შემოსილია წიფლისა და რცხილის ტყით.

ს. ნემანიშვილი.

საყარაულო სამსახური, ჯარის სამსახური, რ-ის დანიშნულებაა შეიარაღებისა და სამხ. ტექნიკის საცავების, აგრეთვე ჰაუპტვახტში მყოფი პირების დაცვა. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში ს. ს-ის ორგანიზაცია სსრკ შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საყარაულო სამსახურის წესდებით არის განსაზღვრული. ს. ს. საბრძოლო ამოცანების შესრულებად ითვლება. ს. ს-ს გარნიზონის ფარგლებში ხელმძღვანელობს გარნიზონის უფროსი, სამხ. ნაწილში — მისი მეთაური. ს. ს-თვის სამხ. ნაწილებიდან განაწესებენ პირად შემადგენლობას, რ-ისგანაც ს. ს-ის შესასრულებლად საყარაულოები იქმნება.

საყარაულოს არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები, რ-ებიც განლაგებულია ყოფილ სოფ. საყარაულოს (თიანეთის რ-ნი), დას-ით, ჩეკურაანთ გორის ხევის მარცხ. ნაპირზე, სიონის წყალსაცავის მარჯვ. ნაპირზე. 1963 გათხარეს (დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი) ორ იარუსად განლაგებული 10 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. მოპოვებული ნივთების (ბრინჯაოს სამაჯურები, საწვივე რგოლი, რკინის შუბისპირი, თიხის ლეგა ჭურჭელი და სხ.) მიხედვით სამაროვანი ძვ. წ. X—VIII სს. მიეკუთვნება. სამაროვნის ქვეშ 2–2,5 *მ* სიღრმეზე ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარია.

სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, განვითარებული შუა საუკ. ქვის სამარხები და სხვ.

ლიტ. იხ. სტ-თან საყდრიონი.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

საყდარგორის არქეოლოგიური ძეგლები, შუა საუკუნეების ნასახლარი, სამარხები და ეკლესიები სოფ. ზემო ნაქალაქარის (თიანეთის რ-ნი) სამხრ.-დას. ნაწილში, საყდარგორის ეკლესიის გალავნიან ეზოში. 1963 გათხარეს (რ. რამიშვილი) ისრულთაღიანი სწორკუთხა აკლდამა. კედლები ნაგები იყო კლდისა და რიყის ქვებით დულაბზე, კონსტრუქციული ნაწილები — შირიმის ქვათლილებით. ეკლესიის აღმ. ფასადზე შირიმის ქვაზე ჯვრის გამოსახულებაა. იქვე, ე. წ. თელუბანში, შერჩენილია წმ. გიორგის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები (ტოპონიმი თელუბანი გაიგივებულია თხილნარასთან. ეს სახელები გვხვდება XVI და XVIII სს. ისტ. წყაროებში მოხსენიებულ სოფელთა შორის). ეკლესიებთან შეიმჩნევა ნასახლარები.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ. იხ. სტ-თან საყდრიონი.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

საყდარი, სოფელი ლენტეხის რ-ნში (ჩოლურის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 1110 *მ*, ლენტეხიდან 12 *კმ*. ჩოლურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. თეკალში (5 *კმ*). ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი. სოფლის მახლობლად დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია (განვითარებული შუა საუკ.). ნაგებია გათლილი ქვით. ინტერიერში ადრე ქვის კანკელი ყოფილა, რ-იც შემდეგ ხის კანკელით შეუცვლიათ. შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. ეკლესიაში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

საყდრიონი (ყოფ. მერეკანი), სოფელი თიანეთის რ-ნში (ხევსურთსოფლის სოფსაბჭო), ერწოს ქვაბულში. ზ. დ. 1060 *მ*, თიანეთიდან 27 *კმ*. ერწოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. ხაშ. სკოლა ხევსურთსოფელში (2 *კმ*). სადაგშო ბაღი, ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი.

სოფელში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — შუა საუკ. დარბაზული ეკლესია. აღმ. აფსიდში სატრაპეზო ქვის დას. მხარეს ამოკვეთილია მედალიონი „ბოლნური ჯვრით“. ეკლესიას დას-ით ეკვრის მოგვიანებით აგებული ორსართულიანი სამრეკლო. სოფლის ჩრდ-ით, ზეგანზე, დგას ლომისასგორის შუა საუკ. დარბაზული ეკლესია. ნაგებია რიყის ქვით, ქვიშაქვისა და კირქვის კვადრებით, ლომისასგორის ჩრდ.-დას-ით მდებარეობს დიდბატონთ ხატი — განვითარებული შუა საუკ. დარბაზული ეკლესია, რ-ის დას. კედელზე მიდგმულია კოშკი. სოფლის მიდამოებშია აგრეთვე დევენაანთხევის დარბაზული ეკლესია, რ-ის მახლობლად შეინიშნევა ნასოფლარის ნაშთები; კვირიას ხატი, თამარის საყდრის ნანგრევები და სხვ.

ლიტ.: რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1978, № 1.

ბ. ჯორბენაძე.

საყელავი მანქანა, სასარგებლო წიაღისეულის (უფრო ხშირად ნახშირის) ფენაში ყელის შესაქმნელი მანქანა. ყელი (ერთგვარი ჭვრიტე) აადვილებს ფენის დანარჩენი ნაწილის მონგრევას მექან. იარაღით ან ფეთქებადი ნივთიერებით. ს. მ-ს შეუძლია მუშაობა დამრეც, დახრილსა და ციცაბო ფენებში. ს. მ-ის მუშა ორგანოა ბარი — მიმმართველი ჩარჩო, რ-ის ღარში მოძრაობს ჯაჭვი. ეს უკანასკნელი შედგება მუშტებისაგან, რ-ებშიც ჩამაგრებულია საჭრისები. მუშტები ერთმანეთთან შეერთებულია თამასებით. ვანა-სხვავებენ ერთ- და ორთამასიან მჭრელ ჯაჭვებს. თუ მუშტები სახსრულადაა შეერთებული, ჯაჭვს ეწოდება უთამასო. ს. მ-ის ძირითადი ნაწილებია ძრავა (ელექტრული ან პნევმ.), მიმწოდებელი მექანიზმი, მუშა ორგანო, ლერწილსაწმენდი, მტვრის შესამცირებელი სარწყავი მოწყობილობა. ს. მ. სანგრევის გასწვრივ გადაადგილდება დოლზე გამწევი ბაგირის დახვევით. ბაგირის ერთი ბოლო ჩამაგრებულია საბრჯენ ბიგზე, მეორე კი — მიმწოდებელი მექანიზმის დოლზე. თანამედროვე ს. მ-ის მიმწოდებელი მექანიზმი ჰიდრავლიკურია და უზრუნველყოფს მანქანის მდოვრე გადაადგილებას და მიწოდების სიჩქარის უსაფეხურო რეგულირებას. თანამედროვე სამამულო ს. მ. „ურალ-33-ის“ ძრავას სიმძლავრეა 88 *კვტ*, ბარის სიგრძე — 2 *მ*. ს. მ-ის ბაზაზე შექმნილია სხვადასხვა სახის *სამთო კომბაინის* კონსტრუქციები. სსრკ შახტებში კომპლ. მექანიზაციის დანერგვის გამო ს. მ-ებს იყენებენ მხოლოდ მაგარსა და ბლანტ ნახშირის ფენებში.

ლიტ.: Яцких В. Г., Имас А. Б., Спектор Л. А., Горные машины и комплексы, М., 1974.

ა. ბეჟანიშვილი.

საყელოიანი ხელიკი (Chlamidosaurus kingi). ქვეწარმავალი ჯოჯოხეთებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 80 *სმ* აღწევს. გავრცელებულია ჩრდ. და ჩრდ.-დას. ავსტრალიასა და ახალ გვინეაში. აქვს ქერცლოვანი კანის ნაოჭი, ანუ საყელო, რ-იც დაკავშირებულია ენისქვეშა ძვლის გამონაზარდებთან. როცა ს. ხ. მშვიდადაა, ნაოჭი ყელზე აქვს დაკეცილი. საშიშროების დროს კი პირს აღებს, გამონაზარდები ჭიმავენ ნაოჭს და იგი ქოლგასავით იშლება. ამით ს. ხ. მტრებს აფრთხობს. შეუძლია ტანაწეული, უკანა ფეხებით სირბილი. ხშირად ადის ხეზე. იკვებება მწერებით.

თ. მუსხელიშვილი.

საყელური მანქანათშენებ ლობაში, ბრტყელი რგოლის სახით ქვესაღები, რ-იც დატანებული აქვს ქანჩის ან ჭანჭიკის თავს. ს. იცავს დეტალის ზედაპირს ქანჩის მოჭერისას და ზრდის საყრდენ ფართობს. ქანჩების თვითამოხრახნის თავიდან ასაცილებლად იყენებენ გაჭრილ ზამბარულ, ჭდეებიან, ვარსკვლავისმაგავს გადასაღუნბოლოებიან და სხვა ს-ებს.

საყვავისტაუ, სოფელი ჩოხატაურის რ-ნში (დაბლაციხის სოფსაბჭო), მდ. სუფსის ხეობაში. ზ. დ. 200 *მ*, ჩოხატაურიდან 3 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ*. დაბლაციხის კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. დაბლაციხეში (1 *კმ*). ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი, ფოსტა.

საყვარელიძე გიორგი არკადის ძე [24. IV (7. V). 1915, სოფ. ჯგილათი, ახლანდ. თერჯოლის რ-ნი], ქართველი საბჭ. პედაგოგი, პედ. მეცნ. დოქტორი (1970), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1980), დამს. მასწავლებელი (1969). სკკპ წევრი 1940-იდან, თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1939) მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1971—83 ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი იყო. 1983-იდან — თსუ-ის პედ. კათედრის პროფესორია. იკვლევს პედ. თეორ. და ისტ. საკითხებს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1960) და მედლებით.

თხზ.: გ. ვ. პლეხანოვის პედაგოგიური შეხედულებანი, თბ., 1968; დისციპლინა სკოლაში, თბ., 1977; Педагогика Древней Греции, თბ., 1979; Славянский полуостров — путь, Тб., 1980; У истоков русской марксистской педагогической мысли, Тб., 1982.

საყვარელიძე პავლე მიხეილის ძე [(27). VIII. 1885, ზესტაფონი, შრაპნის მაზრა, — 1944], რევოლუციონერ-მოძრაობის მოღვაწე, საქართველოში ქართველი საბჭ. მწერალი. კომპარტიის წევრი 1903-იდან. რევ. მოძრაობაში ჩაება ქუთ. გიმნაზიაში სწავლისას, რისთვისაც გიმნაზიიდან გარიცხეს. აქტ. პროპაგანდა და არალეგალურ მუშაობას ეწეოდა ქუთაისში, რაჭის, ქუთ., შორაპნისა და გორის მაზრების მუშებსა და გლეხებში, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გაასახლეს. 1918—1920 მონაწილეობდა საქალაქო ომში ირკუტსკის გუბერნიაში. 1921 საქართველოში დაბრუნდა და სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. იყო საქ. სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის—მუშმელეხინის სახკომის მოადგილე, პარტიის გამგე; საქ. კპ (ბ)კ-ის ბეჭდვითი სიტყვისა და „სახელმწიფოს“ კოლეგიების წევრი, გაზეთების „კომუნისტის“, „მიწის მუშის“, „ახალი სოფლის“ და ჟურნ. „ნიანგის“ რედაქტორი და სხვ. ამიერკავკ. კომუნისტური ორგანიზაციის V და საკ. კპ (ბ) XV ყრილობების დელეგატი. გამოქვეყნებული აქვს პუბლიც. სიაათის სტატიები, მოგონებები და მხატვრული ნაწარმოებები.

თხზ.: დაფანტული ფურცლები, წგნ. ტფ., 1930 (1962); შეიარაღებული აჯანყება შორაპნის მაზრაში 1905 წ., ტფ., 1933.

ზ. გეგეშიძე.

საყვარელიძე სიმონ ელიაზარის ძე [I (2. II). 1889, სოფ. ჯგილათი, თერჯოლის რ-ნი, — 25. XII. 1968, თბილისი], ქართველი საბჭ. ჰისტოლოგი. მედ. მე

ოქტორი (1928), პროფესორი (1930), ქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 914 დაამთავრა ნოვოროსიის უნ-ტის ოდესა) სამედ. ფაკ-ტი. 1930—68 განაგებ- ა თბილ. სამედ. ინ-ტის ჰისტოლ. და ემბ- ოლოგიის კათედრას, ერთდროულად ლ სტომატოლოგიური ინ-ტის დირექტო- ის მოადგილე სასწ. და სამეცნ. დარგში .938—46) და სამედ. ინ-ტის დირექტორის ადგილე სამეცნ. დარგში (1946—53).

შეისწავლიდა ადამიანის ნაყოფის კო- ინჯის ეპითელიუმისა და კუნთოვანი ოვილის, საშოსა და საშვილოსნოს, აგ- ეთვე თირკმლის მენჯის რეცეპტორული არატის, საკვერცხეების რეპარაციული ეგენერაციის, ავრეთვე მრავალუჯრედო- ნი ორგანიზმის გამრავლების მორფო. კითხებს და სხვ. დაჯილდოებულია ლე- ნის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ემბრიოლოგიის საფუძვლები, თბ., 57; მიკროსკოპული ტექნიკა, თბ., 1931; რძო ჰისტოლოგია, გამოც. მე-3, თბ., 1969.

ყვარელიძე ტარიელ იოველის ძე (დ. . IV. 1923, ზესტაფონი), ქართველი ბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი 967). სცკპ წევრი 1962-იდან. 1941—46 ით. ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწ. ეატრის მსახიობი იყო; 1946-იდან კ. მარ- ანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის მსა- ობია. ასრულებს როგორც დრამ., ისე ხასიათო როლებს. მნიშვნელოვანი ოლები: მეფე ერეკლე (გოთუას „მეფე ეკლე"), ჭუჭა (ვაჟა-ფშაველას „მოკვე- ლი"), მანუჩარი (კაკაბაძის „კოლმე- რნის ქორწინება"), დე სილვა და დე სან- ხი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), გრა- ი შრუზბერი (შილერის „მარიამ სტიუარ- ა"), კლარენსი, კაპულეტი, მაკბეთი ჰექსპირის „რიჩარდ მესამე", „რომეო ა ჯულიეტა", „მაკბეთი"), კრეონი (ევ- პიდეს „მედეა", სოფოკლეს „ანტიგო- ე"), ნაპოლეონი (სარდუსა და მოროს ადამ სან-ჟენი"). დავანაძე, ქალაქის თა- ი (ქიაჩელის „ჰაკი აბაა"). დარისპანი ე. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭი- ა"). ს. მზატვრული კითხვის ოსტატიც ის, მოღვაწეობს ქართ. ესტრადაზე.

ყველი, მთა თრიალეთის ქედის ას. ნაწილის თხემზე. სიმაღლე 2806 *მ*. ებულია ზედაპლიოცენური ანდეზიტ- აციტური ლავებით. აქვს კონუსის ფორ- . ს-დან რადიალურად ჩამოედინებიან ე-ების ქცია-ხრამისა და გუჯარეთის- ელის შემდგენელი შენაკადები. შემოსი- ია სუბალპ. და ალპ მდელოებით.

ს. ნემანიშვილი.

ყვინთი საქმე, საწარმოო საქმია- ების დარგი, რ-იც დაკავშირებულია ეც. აღჭურვილობის მქონე ადამიანების ქალში ჩაყვინთვასთან სხვადასხვა სამუ- ოების შესასრულებლად. ს. ს-ში შედის ყვინთი ტექნიკა, რ-იც მოიცავს შრომის აცვას წყალქვეშა სამუშაოების დროს, და ვინთავის მუშაობის მეთოდებს. საყვინ- ი შრომის ფიზიოლოგია და პროფ. ჰიგი- ა შეისწავლის მყვინთავზე იმ გარემოს ემოქმედებას, რ-იც ადამიანის ორგა- ზმში მაღალი წნევის, დაბალი ტემპ- ებისა და სხვა ფაქტორების მოქმედებით ჩვევს ღრმა ცვლილებებს.

თანამედროვე **საყვინთ ტექნი- ა**ში შედის აღჭურვილობა, ტექ. სა- ქალებები და მოწყობილობები, რ-ებსაც ენებენ სხვადასხვა სამუშაოს შესასრუ- ებლად. მოწყობილობათა კომპლექსს, იც უზრუნველყოფს ადამიანის ცხოველ- ედობას წყალქვეშ, ეწოდება საყვინთი ჭურვილობა. სასუნთქი ნარევით უზ- უნველყოფის ხერხის მიხედვით იგი არის ტონ. და არაავტონ.; სუნთქვის სქემის ხედვით — ვენტილირებადი, ღია, ნა- ვრად შეკრული და შეკრული სუნთქვის ემებით; სასუნთქი აირული ნარევების ედგენილობის მიხედვით — ჰაერული, ნგბადიანი, აზოტ-ჟანგბადიანი, ჰელიუმ- ნგბადიანი და ა. შ. საყვინთი აღჭურვი- ობის ნაწილს, რ-იც ქმნის აირ- და წყალ- შეუღწევ გარსს, ეწოდება საყვინთი სკა- ფანდრი. სსრკ-ში ყველაზე მეტად გავრ- ცელებულია ვენტილირებადი სამჭანჭიკი- ანი აღჭურვილობა, რ-შიც მყვინთავი სუნ- თქავს წყლის ზედაპირიდან შლანგით მიწოდებული შეკუმშული ჰაერით. ამ აღჭურვილობით ჩაყვინთვა შეიძლება 60 *მ*-მდე სიღრმეზე. მცირე სიღრმეზე (20 *მ*-მდე) სამუშაოების შესასრულებლად იყე- ნებენ თორმეტჭანჭიკიან ვენტილირებად აღჭურვილობას, 100 *მ*-მდე ჩასაყვინთად— ჰაერულ-ჟანგბადიანს, უფრო დიდ სიღრმე- ზე (300 *მ*-მდე) ჩასაყვინთად კი — ჰელი- უმ-ჟანგბადიანს (ნახ.) საზღვარგარეთ და სსრკ-ში 1930-იანი წლების დასაწყისში იყენებდნენ ისეთ აღჭურვილობას, რ-საც ჰქონდა ავტონ. ჟანგბადიანი სასუნთქი აპარატი, ხოლო 40-იან წლებში დაიწყეს აკვალანგების გამოყენება.

მყვინთავს წყალში უშვებენ და ზევით ამოჰყავთ საყვინთი მოწყობილობით, რ-შიც შედის: საყვინთი კომპრესორები და ტუმბოები, სასუნთქი აირული ნარევების მოსამზადებელი და მისაწოდებელი დანად- გარები, ჩასაშვებ-ამწევი მოწყობილობები, სიგნალიზაციის, კავშირისა და განათების საშუალებები, ჰიდროლოკატორები, სადე- კომპრესიო კამერები და სხვ.

საყვინთი სამუშაოები და- ნიშნულების მიხედვით არის: საავარიო- მაშველი, გემის, გემთსაწევი, გემთსარე- მონტო და წყალქვეშა ტექნიკური. XX ს. 60-იან წლებში საყვინთი სამუშაოების ეფექ- ტურობის გასაზრდელად შეიმუშავეს ადა- მიანების წყალში ხანგრძლივად ყოფნის მეთოდი.

მყვინთავის პროფესია მოითხოვს სპეც. მომზადებას. კვალიფიკაციის მიხედვით მყვინთავებს ყოფენ 3 კატეგორიად. უბე- დური შემთხვევებისა და მყვინთავთა სპე- ციფ. დაავადებების თავიდან ასაცილებ- ლად არსებობს საყვინთი წესები. ამ წეს- ებით მკაცრადაა რეგლამენტირებული საყ- ვინთი სამუშაოები.

ლიტ.: Максименко В. П., Не хорошев А. С., Суровикин В. Д., Водолазное дело, М., 1971.

საყვირი, მაღალი რეგისტრის საორკესტრო და სოლო სასულე მუსიკალური საკ- რავი. შედგება ცილინდრული მილისაგან, რ-საც კონუსური ფორმის ბოლო აქვს. მი- ლის დიამეტრი 11 *მმ*, არხის სიგრძე და- ახლ. 1500 *მმ* აღწევს. უვენტილო ს-ზე XVII ს-ში უკრავდნენ საოპერო ორკესტ- რში. 1816 შეიქმნა ქრომატული ბგერათა- რიგის მქონე ს. ტუმბოიანი სავენტილო მექანიზმით, 1828—32 — ცილინდრული ვენტილიანი მექანიზმით. მალე ისინი სრულიად განდევნა უვენტილო ს-მა. არ- სებობს მცირე, ალტის, ბანის ს-ები. სა- ქართველოში გვხვდება IX ს-იდან. იხ. *ბუკი.*

საყლაპავი მილი, საგლაპავი, ადამიანისა და ცხოველების მომნელებელი ტრაქტის ნაწილი, რ-იც ატარებს საკვებს უშუალოდ პირის ხვრელიდან (კიბოსნაი- რები, მრავალფეხიანები), პირის ღრუდან (კანეკლიანები) ან ხახიდან (ზოგი ბრტყე- ლი და რგოლოვანი ჭია, ობობასნაირები, ხერხემლიანები, ადამიანი) შუა ნაწლავამ- დე (ზოგი ჭია, კანეკლიანები) ან კუჭამ- დე (ხერხემლიახები, ადამიანი და სხვ.). ს. მ. უმეტესად ამოფენილია კანის ტიპის ეპითელიუმით და აღჭურვილია განივ- ზოლიანი მუსკულატურით. ს. მ-ის უკანა ნაწილი ხშირად გარდაქმნილია ჩიჩახვად (ზოგი მოლუსკი, ფრინველი და სხვ.), ე. წ. საღეჭ კუჭად (მრავალი ფეხსახსრიანი) ანდა რთული კუჭის ნაწილებად (მაგ., მცოხნელთა *ფაშვი, ბადური* და *წიგნარა*).

ლ. ნათაძე.

ადამიანის ს. მ. არის ხახასა და კუჭს შორის ჩართული 25 *სმ* სიგრძის კუნთოვანი მილი. იწყება კისრის VI მა- ლის დონეზე, ეშვება უკანა შუასაყარში. გულმკერდის V მალის დონემდე იგი სასუ- ლის უკან და ხერხემლის სვეტის წინ მდე- ბარეობს, გულმკერდის VIII მალის დო- ნეზე აორტას გადაუვლის წინიდან და მის მარცხ. მხარეზე თავსდება, გულმკერდის XI მალის დონეზე გაივლის შუასაბჭოს და მუცლის ღრუში შედის. შუასაბჭოს კუნთოვანი ბოჭკოები ს. მ-ის ირგვლივ ქმნის სფინქტერს, რ-იც ხელს უშლის საკ- ვები მასის კუჭიდან უკან ამობრუნებას. ს. მ-ში არჩევენ კისრის (5—8 *სმ*-მდე), გულმკერდისა (15—18 *სმ*-მდე) და მუცლის (2—6 *სმ*-მდე) ნაწილებს. ს. მ-ის სანათუ- რი ყველგან ერთნაირი არ არის, სამადგი- ლას იგი ვიწროვდება. პირველი შევიწ- როება შეესაბამება ხახის ს. მ-ში გადასვ- ლის ადგილს, მეორე — სასულის ბიფურ- კაციას (გაორკაპებას) და მესამე.— შუასაბ- გიდის ს. მ-ის ხვრელს. ს. მ-ის კედელი შედგება 3 გარსისაგან: გარეთა გარსი შემაერთებელქსოვილოვანია და მეტ-ნაკ- ლებად შეზრდილია სხვადასხვა ორგანოს- თან, შუა გარსი კუნთოვანია და შედგება გარეთა გასწვრივი და შიგნითა ირგვლივი შრეებისაგან (კუნთოვანი გარსი ზემო 1/3 ნაწილში შედგება განივზოლიანი კუნთოვანი ქსოვილისაგან, ქვემოთ კი — გლუვკუნთოვანი ბოჭკოებისაგან), შიგ- ნითა გარსი ლორწოვანია, მის ქვეშ უხვად არის განვითარებული ლორწქვეშა შემაერთებელი ქსოვილი, რ-იც წარმოქმ- ნის გასწვრივ ნაოჭებს. ლორწოვანი გარსი ამოფენილია მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით. ს. მ-ის კუნთოვანი გარსი რეფლექსურად იკუმშება ყოველი ყლაპვი- თი მოძრაობის დროს, შეკუმშვა ტალღისე- ბურად ვრცელდება ზემოდან ქვემოთ და საჭმლის გუნდას კუჭისაკენ უბიძგებს. ს. მ-ის დაავადებათა დასადგენად იყენე- ბენ რადიო-რენტგენოლოგიურ გამოკვლე- ვებს, ბიოფსიას, ენზოფაგოსკოპიას და სხვ. მეთოდებს.

ვლ. აბაშიძე.

საყოველთაო, იხ. სტ. *ერთიული, განსაკუთრებული და საყოველთაო.*


საყოველთაო გაფიცვა, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ძი- რითადი ფორმა. მოიცავს მრეწვ., ტრანსპ., კომუნ. მეურნ. და ა. შ. ერთი ან რამდენიმე, ან ყველა დარგის მუშებს. ს. გ-ში სულ უფრო მეტად მონაწილეობენ მოსამსახუ- რენი, ინტელიგენცია და სხვ. ს. გ-ის უმაღ- ლესი ფორმაა საყოველთაო პოლიტ. გა- ფიცვა. ს. გ-ის იდეა წამოაყენა ჯერ კიდევ 1839 ჩარტისტულმა კონვენტმა (იხ. *ჩარ- ტიზმი*). XIX—XX სს. მიჯნაზე ს. გ-ის მაგალითებია 1893 საყოველთაო პოლიტ. გაფიცვა ბელგიაში, 1905 ოქტომბრის სა- ყოველთაო პოლიტ. გაფიცვა რუსეთში, 1926 ს. გ. დიდ ბრიტანეთში და სხვ. II მსო- ფლიო ომის (1939—45) პერიოდში მშრო- მელებმა ს. გ. ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს (მაგ., ს. გ. ათენში 1943, საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა დანიაში 1944). II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ს. გ. გახშირდა, გაფართოვდა მონაწილეთა შემადგენლო- ბა, მუშათა ეკონ. მოთხოვნებს ხშირად პო- ლიტ. მოთხოვნებიც ემატება. ს. გ. ღრმა სოც.-ეკონ. რეფორმებისათვის მშრომელ- თა ბრძოლის მნიშვნელოვან ელემენტად იქცა. ვ. ი. ლენინი გადაჭრით ილაშქრებ- და მეორე ინტერნაციონალის რეფორმის- ტებისა და მენშევიკების წინააღმდეგ, რო- დესაც ის ლაპარაკობდა 1905—07 რევო- ლუციაზე რუსეთში, მიუთითებდა, რომ იგი „...არის მსოფლიო ისტორიაში პირ- ველი,—მაგრამ, უეჭველია, ის იქნება არა უკანასკნელი, — დიდი რევოლუცია, რომელშიც მასობრივმა პოლიტიკურმა გა- ფიცვამ შეასრულა არაჩვეულებრივად დი- დი როლი" (ლენინი ვ. ი., თხზ., IV გამოც., ტ. 23, გვ. 314). ი. *კობახიძე.*

საყოველთაო გაფიცვა 1926 დიდ ბრიტანეთში, დიდი ბრიტანეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში უდიდესი გაფიცვა (მონაწილეობდა 5 მლნ-ზე მეტი მუშა). გამოიწვია მთავრობისა და მეწარ- მეთა გადაწყვეტილებამ მუშების ხარჯზე


საყლაპავი მილი




ღრმა წყლის პელიუმ-ჟანგბადიანი აღჭურვილობა: 1—მუზარადი; 2—საყვინთი ხერანგი; 3—უკანა ტვირთი (სარეგენერაციო კოლოფი); 4 — წინა ტვირთი აირული ნარევის საავარიო მარაგითურთ; 5—საყვინთი კალოშები.



საყვირი.



საყლაპავი მილი: 1—საყლაპავი მილის კისრის ნაწილი; 2—მარცხენა ბრონქი; 3—გულმკერდის აორტა; 4 —კუჭი; 5—საყლაპავი მილის მუცლის ნაწილი; 6—ნეკნები; 7—საყლაპავი მილის გულმკერდის ნაწილი; 8—მარჯვენა ბრონქი; 9—აორტის რკალი; 10—სასუნ- ლე.



საყრდენები. ბრტყელი ღეროვანი სისტემების საყრდენები; ა — სახსროვანი მოძრავი; ბ — სახსროვანი უძრავი; გ — ჩამაგრებული მოძრავი; დ— ჩამაგრებული უძრავი.



საყუთხი. წმ. გიორგის ეკლესია. XV—XVI სს. სამხრეთის ფასადი.

გაეტარებინათ ქვანახშირის წარმოების ე. წ. „რაციონალიზაცია“ (ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გაზრდა). პროფკავშირების აღმასკომის კონფერენციამ 1 მაისს მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდა. გაფიცვამ თანდათან პოლიტ. ხასიათი მიიღო. ტრედიუნიონების გენ. საბჭოს ხელმძღვანელობამ ბრძოლის შემდგომი განვითარების შიშით 12 მაისს გაფიცვის შეწყვეტა გამოაცხადა. ს. გ-მ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სოლიდარობის მოძრაობა გამოიწვია.

საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში 1903, მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა 1903 ივლის-აგვისტოში, რ-შიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიისა და უკრაინის მშრომელები. საყოველთაო გაფიცვა დაიწყო ბაქოს მუშების გაფიცვით 1903 წ. 1 ივლ. (იხ. *ბაქოს გაფიცვები*). შემდეგ გაიფიცნენ თბილ., ამიერკავკ. რკინიგზის, ფოთის, ბათ., ჭიათურის, ოდესის, ნიკოლაევის, კიევის, ქერჩის, ხარკოვისა და სხვ. ქ-ნების მუშები. საგაფიცვო მოძრაობას ხელმძღვანელობდა რსდმპ ისკრული კომიტეტები. გაფიცვა მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობას!“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“. მუშები მოითხოვდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას და ა. შ. გაფიცვას თან ახლდა დემონსტრაციები, მასობრივი შეკრებები და მიტინგები. საყოველთაო გაფიცვამ ხელი შეუწყო სამხრ. რუს. მრავალეროვანი მუშათა მასების პოლიტ. აღზრდას და დარაზმვას. მან გავლენა იქონია გლეხობაზე და დიდი როლი ითამაშა ზუბატოველობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლიტ.: Всеобщая стачка на юге России в 1903 году. Сб. документов, М., 1938.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია, ბურჟუაზიული თეორია, რ-ის თანახმადაც თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს არსს თითქოსდა წარმოადგენს ზრუნვა ხალხის ფართო ფენების კეთილდღეობისათვის სამეურნეო საქმიანობაში ჩარევისა და სოც. რეფორმების გატარების გზით. ემყარება რეფორმიზმის იდეოლოგიას და კეინზიანელობას. ფართოდ გავრცელდა დასავლეთის სოციოლოგიურ ლიტ-რაში II მსოფლიო ომის შემდეგ. ეს თეორია თანამედროვე ბურჟ. სახელმწიფოს წარმოგვიდგენს როგორც რაღაც „შუალედ გზას“ ორ უკიდურეს ხაზს — XIX ს. ინდივიდუალიზმსა და XX ს. კოლექტივიზმს — შორის: სამეურნეო საქმიანობაში ჩარევით იგი თითქოს ერთგვარად ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას, მეწარმეთა სრულ თავისუფლებას და ზრუნავს მოქალაქეთა სოც. უზრუნველყოფაზე, რითაც თითქოსდა არსებითად განსხვავდება XIX ს. სახელმწიფოსაგან, რ-საც არ გააჩნდა სამეურნეო და სოც. ფუნქციები. მეორე მხრივ, თანამედროვე იმპერიალ. სახელმწიფო სამეურნეო სფეროში არ უარყოფს კერძო კაპიტალის არსებობას, დაგეგმვის თავისუფლებას და ამით ეწინააღმდეგება სოციალ. ტაპის სახელმწიფოს. ს. ჯ. ს. თ. უპირისპირდება სახელმწ. მარქსისტულ თეორიას, რადგან მისი კლასობრივი მიზანია სოც. რეფორმების გატარების ქადაგებით შეანელოს ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის არსებული წინააღმდეგობა და თავიდან აიცილოს სოციალ. რევოლუცია.

ლიტ.: Завадский С., «Государство благоденствия». Доктрина и практика, пер. с польск., М., 1966. *ო. გამყრელიძე.*

საყოველთაო-სახალხო განიზრა, სოციალისტურ ქვეყნებში დემოკრატიის ერთ-ერთი გამოვლინება — მოქალაქეთა მონაწილეობა სამართალშემოქმედებაში. საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისაგან (*რეფერენდუმისაგან*) განსხვავებით, ს.-ს ბ. კანონის მიღების ფორმას არ წარმოადგენს, მას კონსულტაციური ხასიათი აქვს. კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საკანონმდებლო ორგანოები ითვალისწინებენ მოქალაქეთა მიერ კანონპროექტის თაობაზე ს.-ს. გ-ის პროცესში გამოთქმულ შენიშვნებს, სურვილებსა და წინადადებებს. სსრკში ს.-ს. ბ-ის ჩატარების პრაქტიკა სულ უფრო და უფრო ფართოვდება. მაგ., ფართო ს.-ს. ბ. ჩატარდა სსრკ 1977 და მოკავშირე რესპუბლიკების 1978 კონსტიტუციების პროექტებთან დაკავშირებით, 1980 — საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების თაობაზე და სხვ.

საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა, იხ. *რეფერენდუმი.*

საყორნე, უღელტეხილი კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 2835 *მ*. ს-ის მიდამოები აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. უღელტეხილი პანკისის ხეობას აკავშირებს თუშეთის ალაზნის ხეობასთან.

მ. უთმელიძე.

საყორნე, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში (ახლანდ. თეთრი წყაროს რ-ნი). ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. I ნახევარში.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

საყორნია, მთა მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, მდ-ების ნატანებისა და ბახვისწყლის ზემო დინებათა წყალგამყოფზე. სიმაღლე 2752 *მ*. აგებულია შუაეოცენური უხეშმარცვლოვანი ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფებით. მთის წვერი ბრტყელია. ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. კალთა მკვეთრად დანაწევრებული და ქარაფოვანია. შეიმჩნევა მეოთხეული გამყინვარების კვალი. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მცენარეულობით.

ს. ნემანიშვილი.

საყორნის ძეძი, კახეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განშტოება, მდების სტორისა და დიდხევის წყალგამყოფი. სიგრძე 23 *კმ*. მთავარი მწვერვალებია: უსახელო (2902 *მ*) და საყორნე (2425 *მ*). აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით, შუა მონაკვეთი, ამას გარდა, — ასპიდური ფიქლებითა და დიაბაზებით. ქედის თხემი საფეხურებისებრ დაბლდება, ზოგან მოვაკებულია. კალთები ძლიერ დახრილი და დანაწევრებულია. ჩრდ. ნაწილში ცირკები და კარებია. კალთები დაფარულია ფოთლოვანი ტყით, თხემი — სუბალპ. ტყე-ბუჩქნარითა და მდელოებით, უფრო მაღლა — ალპ. მდელოთი. *გ. ჩანგაშვილი.*

საყოფაცხოვრებო მაჭირავება, საბჭოთა სამართალში ქონებრივი ქირავნობის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რ-ის მიხედვითაც სპეციალიზებული ორგანიზაციები მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის სასყიდლით აძლევენ სახმარ ნივთებს (მაგ., სარეცხ ან საკერავ მანქანას, მტვერსასრუტს, მუს. ინსტრუმენტს, ტელევიზორს, სპორტინვენტარს და სხვ.). ს. გ-ის თაობაზე ზოგადი დებულება განმტკიცებულია 1961 სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსებში (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მმ. 271—273 და სხვ.). ს. გ-ის პირობები და წესი უფრო დეტალურად რეგლამენტირებულია ს. გ-ის ცალკეულ სახეობათა ტიპობრივ ხელშეკრულებებში. ს. გ-ის ხელშეკრულების დადებისას მოქალაქემ უნდა წარადგინოს პასპორტი. იგი ჩაწერილი უნდა იყოს სათანადო ადგილას (ქალაქში, რ-ნში და ა. შ.). დამქირავებელი ვალდებულია დროზე გადაიბადოს ნივთით სარგებლობის საზღაური. დავალიანების ახდევინებენ უდავო წესით სანოტარო ორგანოთა საალსრულებო წარწერის საფუძველზე.

საყრდენები, მოწყობილობები ნაგებობათა *მზიდი კონსტრუქციების* დასაკავებლად და მისასამაგრებლად. ს. გადასცემს ძალვებს ნაგებობის ერთი ნაწილიდან მეორეზე ან ფუძეზე (იხ. *ნაგებობის ფუძე*). ს-ის კონსტრუქციები მრავალნაირია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. საცხოვრ., საზ. და სამრეწვ. შენობებში კოჭებისა და წამწების ს-ია კედელი, სვეტი, დგარი, აგრეთვე ელემენტების (მაგ., მეორეხარისხოვანი და მთავარი კოჭების) ურთიერთშეულლების ადგილები. სამშენებლო მექანიკაში ს. მიიღება ნაგებობათა ნამდვილი ს-ის საანგარიშო სქემების სახით. ყველაზე გავრცელებულ ბრტყელ ღეროვან სისტემებში განასხვავებენ ს-ის 4 ძირითად სქემას (ნახ.): სახსროვან (ანუ ცილინდრულ) მოძრავს, სახსროვან უძრავს, ჩამაგრებულ მოძრავსა და ჩამაგრებულ უძრავს. სახსროვანი მოძრავი ს. საშუალებას აძლევს ჩასამაგრებელ სისტემას მობრუნდეს გარკვეული ღერძის ირგვლივ და წინსვლით გადაადგილდეს ერთი მიმართულებით. სახსროვანი უძრავი ს-ის ზემოხვეული სისტემა შეიძლება მხოლოდ მობრუნდეს საყრდენი წერტილის მიმართ. ჩამაგრებული მოძრავი ს. საშუალებას აძლევს ჩასამაგრებელ სისტემას გადაადგილდეს მხოლოდ წინსვლით (ერთი მიმართულებით). ჩამაგრებული უძრავი ს. გამორიცხავს სისტემის ყოველგვარ გადაადგილებას.

საყრდენი ბურღვა, დედამიწის ქერქის შესწავლის ხერხი ღრმა *ბურღვით*; იყენებენ რეგიონული გეოლ. სამიებო სამუშაოების დროს. საყრდენი ჭაბურღილები გაყვანის ადგილებს, როგორც წესი, ირჩევენ რეგიონული გეოლ. და გეოფიზ. კვლევების (აერომაგნ., გრავიმეტრული, სეისმოლოგიური და სხვ.) მონაცემების საფუძველზე, სტრუქტურულად ყველაზე ხელსაყრელ პირობებში. ს. ბ. ხორციელდება კერძო ნის ამოღებით, ამავე დროს ტარდება გარბურღული ნალექების სრული კომპლ. გეოლ. და გეოფიზ. გამოკვლევა.

საყრდენი გეოდეზიური ქსელი, დედამიწის ზედაპირზე საგანგებოდ შერჩეული და დამაგრებული წერტილების ერთობლიობა, რ-ებისთვისაც არჩეულ კოორდინატთა სისტემაში ცნობილია გეგმური მდებარეობა და სიმაღლე ზღვის დონიდან (ან სხვა პირობითი დონიდან). ყველა მასშტაბის ტოპოგრაფიულ აგეგმვას ს. გ. *ძ.* უდევს საფუძვლად. სსრკ-ში განარჩევენ შემდეგ სახის ს. გ. ძ-ებს: ა. ტრიანგულაციის, პოლიგონომეტრიისა და ტრილატერაციის I, II, III და IV კლასის ქსელებს, რ-ები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კუთხეებისა და გვერდების გაზომვის სიზუსტით და განვითარების თანმიმდევრობით; ბ. I, II, III და IV კლასის სანიველე ქსელებს; ს. გ. ძ-ის აგების ძირითადი პრინციპი ზოგადიდან კერძოზე — მაღალი კლასიდან დაბალზე — გადასვლა. ს. გ. ძ-ის აგების დროს მნიშვნელოვანია წერტილების საჭირო სიხშირის დადგენა, რაც რეგლამენტირებულია შესაბამისი ინსტრუქციებით, მაგ., 1 : 25000 და 1 : 10000 მასშტაბით აგეგმვისას 1 წერტილია დამაგრებული 50—6 *კმ*²-ზე, 1 : 5000 მასშტაბით აგეგმვისას 20—30 *კმ*²-ზე, 1 : 2000 და უფრო მსხვილი მასშტაბით აგეგმვისას —5—15 *კმ*²-ზე. ს. გ. ძ-ის შექმნის ძირითადი მეთოდი ტრიანგულაცია და გეომ. *ნიველება.*

ს. ფიალიშვილი.

საყრდენი კედელი, კონსტრუქცია, რ-ი იცავს თავის უკან მდებარე გრუნტს მასივს ჩამონგრევისაგან; იყენებენ საგზაო, სამრეწვ. და სამოქალაქო, განსაკუთრებით ჰიდროტექ. მშენებლობაში (სანაპირო ნავსაყუდლის, რაბის კამერების, ვარდნების და მისთ. აგებისას). ს. კ-ის საშენი მასალაა ბუნებრივი ქვა, ბეტონი, რკინაბეტონი, ლითონი, ხე. ს. კ-ის განივკვეთის ზომებსა და პროფილს განსაზღვრავენ გაანგარიშებით. ს. კ-ს, რ-ის მდგრადობას უზრუნველყოფს მისი საკუთარი მასა, მასზე ზურს უწოდებენ.

საყრდენი პუნქტი, ასეულის ან ოცეულის მიერ დასაცავი ადგილის მონაკვეთი, რ-ც საცეცხლე საშუალებებით, წინაღობებით

არის გამაგრებული და მომზადებულია წრიული დაცვისათვის. ს. პ-თვის ისეთ ადგილს არჩევენ, საიდანაც კარგად ჩანს გარემო და მოწინააღმდეგეზე ეფექტური ვეცხლის წარმოება არის შესაძლებელი. ოცეულის ს. პ. ასეულის ს. პ-ის ნაწილს წარმოადგენს. ს. პ. საგულდაგულოდაა შენილბული.

აყუდაბელი, სოფელი ასპინძის რ-ნში (ორგორის სოფსაბჭო), ერუშეთის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. მტკვრის ხეობაში. ზ. დ. 1270 *მ*, ასპინძიდან 9 *კმ*. ა. ყდაროვის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მეფრინდვრეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ორგორაში (1 *კმ*). ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი. სოფლის ტერიტორიაზე მოიპოვება ბაზალტი. სოფელში არის XII—XIII სს. გამოქვაბულის კომპლექსი, მონასტრის ნანგრევები. მიდამოებში ნასოფლარი კარნეთი.

აყუდისთავი, მთა მესხეთის ქედის ჩაქრის შტოქედზე. სიმაღლე 1707 *მ*. აგებულია მეოცენური უხეშმარცვლოვანი ტუფოგენქვიტებითა და ტუფებით. კონუსის ფორმისაა, მთის კალთებიდან რადიალურად ამოედინებიან მდ-ების აჭარისწყლისა და ახალციხისწყლის შენაკადები. შემოსილია მუხის, რცხილისა და წიფლის შერეული ტყით. *ს. ნემანიშვილი.*

აყულია, სოფელი წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, იმერეთის დაბლობზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 45 *მ*, წყალტუბოდან 40 *კმ*. მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. ქიმმალექსი. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ადრინდ. ანტ. და ელინისტური ხანის არქეოლ. მასალა. XIX ს. შუა წლებამდე ს-ში იდგა სამი ეკლესია; მ. შ. უძველესი XVII ს. დასაწყისში ყოფილა აგებული.

აყუნეთი, სოფელი ახალციხის რ-ნში (აგარის სოფსაბჭო), ახალციხის ქვაბულში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 900 *მ*, ახალციხიდან 22 *კმ*. აგარის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი.

სოფელში დგას XV—XVI სს. ქართ. ეროთმოძღვრების ძეგლი — მცირე ზომის დარბაზული ერთაფსიდიანი ეკლესია. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კამარა პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობა. კედლები შიგნიდან უხეშად დამუშავებული ქვითაა ამოშენებული. შემორჩენილია შელესილობისა და მოხატულობის ფრაგმენტები. გარედან ეკლესია ჩასმულია ღრიერ ნასვრეტიან ქვის პერანგში. ნაგებობის პროპორციები დაბალია და ფართო. ფას. ფასადზე სარკმლის თავზე გამოსახულია მოჩუქურთმებული ჯვარი, რ-ის სამიეე კლავი რელიეფური ბურთულებით არის დასრულებული, საფუძველი კი უშუალოდ სარკმლის საპირეს ერწყმის.

აყურიანი, სოფელი ყაზბეგის რ-ნში (გუდაურის სოფსაბჭო), მდ. მთიულეთის არაგვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2120 *მ*, ყაზბეგიდან 53 *კმ*. სერგო ორჯონიკიძის სახ. კობის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ქვეშეთში (3 *კმ*).


აშაბურო, სოფელი დუშეთის რ-ნში (ბაზალეთის სოფსაბჭო), ბაზალეთის პლატოზე, ბაზალეთის ტბის აღმ-ით. ზ. დ. 790 *მ*, დუშეთიდან 9 *კმ*. მ. კალინინის სახ. ბაზალეთის კოლ-ბა (მემცენარეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი.

აშაფუჯი, სოფელი აფხ. ასსრ გალის რ-ნში (ზემო ბარღების სოფსაბჭო), სურწაყანოს დაბლობზე, მდ. ხუმუშქურის (გაგიდის ერთ-ერთი შემადგენელი) ნაპირას. ზ. დ. 15 *მ*, გალიდან 13 *კმ*. ზემო ბარღების მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა. ჩაის ფ-კა. საშ. სკოლა სოფ. ზემო ბარღებში (5 *კმ*). საავადმყოფო, აფთიაქი.

საშახტო აწევა, საშახტო ამწევი დანადგარი, ვერტიკალურსა და დახრილ ჭაურებში ადამიანებისა და ტვირთის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მანქანებისა და მექანიზმების ერთობლიობა. საშახტო ამწევი დანადგარი შეიცავს: ამწევ მანქანას, ბაგირებს, ტვირთის საზიდ ჭურჭლებს, ურნალს, მიმმართველ ბორბლებს, ჩამტვირთავ მოწყობილობასა და ბუნკერს. ამწევი მანქანა შედგება ბაგირის დამხვევი ორგანოსაგან, სამუხრუჭო სისტემისა და რედუქტორისაგან, ელექტროძრავასა და მართვის პულტისაგან. ს. ა-ის დანადგარები დანიშნულების მიხედვით არის: მთავარი (სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის მიწის ზედაპირზე ამოსატანად), დამხმარე (ადამიანებისა და სხვადასხვა დანიშნულების ტვირთის ასაწევ-ჩასაშვებად), გვირაბგასავანი (ჭაურების გაყვანისა და ჩაღრმავების დროს) და საინსპექტორო ანუ საავარიო (ჭაურების დასათვალიერებლად და ავარიის დროს ადამიანების ამოსაყვანად). ამწევი ჭურჭლის ტიპის მიხედვით — გალებიანი, სკიპებიანი და ბადიებიანი. ამწევი ბაგირების მასის გაწონასწორების მიხედვით — გაუწონასწორებელი, სტატიკურად გაწონასწორებული და დინამიკურად გაწონასწორებული სისტემები, ამწევი ბაგირის დამხვევი ორგანოს მიხედვით — მუდმივრადიუსიანი (ცილინდრული დოლები, ხახუნის ბორბლები) და ცვლადრადიუსიანი (ბიცილინდრკონუსური დოლები). ამწევი ბაგირების რაოდენობის მიხედვით ს. ა. არის ერთდა მრავალბაგირიანი. ამწევი მანქანის ამძრავად იყენებენ ცვლადი დენის ასინქრონულ ან მდუმივი დენის ელექტროძრავებს. ჭაურების დიდი სიღრმისას (600 *მ*-ზე მეტი) ეფექტურია მრავალბაგირიანი ს. ა-ის გამოყენება; მას აქვს ორი ამწევი ჭურჭელი ან ერთი ჭურჭელი და საბირწონე.

ლიტ.: ფესიანიძე ა., საშახტო ამწევი დანადგარის შერჩევა და ანგარიში, თბ., 1959; მისივე, ასინქრონულამძრავიანი საშახტო ამწევი დანადგარის ანგარიში, თბ., 1978; Федорова З. М., Лукин И. Ф., Нестеров А. П., Подъемники, К., 1976. *ა. ფესიანიძე.*

საშახტო მშენებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა (შახტების, მაღაროების) მშენებლობა. ს. მ. მოიცავს მიწისქვეშა გვირაბების (ვერტ., ჰორიზ., დახრილი) გაყვანასა და მიწის ზედაპირზე შენობა-ნაგებობების აგებას (ურნალები, ამწევი მანქანების შენობები, ადმ.-საყოფაცხოვრებო კომბინატები, მექან. სახელოსნოები, საკომპრესორო შენობები, საწყობები და სხვ.). საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიწისქვეშა სამუშაოების 60%-ზე მეტი მიწისქვეშა სამუშაოებია. ჭაურების გაყვანის ყველა პროცესი მექანიზებულია. შპურების საბურღად იყენებენ ბუკს-12 ტიპის საბურღ დანადგარებს, სამთო მასის დასატვირთად — სატვირთავ მანქანებს, მიწის ზედაპირზე სამთო მასის ამოსატანად — დიდი ტევადობის თვითმცლელ ბადიებს. ჭაურებს ჩვეულებრივ ამაგრებენ მონოლითური ბეტონით. სსრკ-ს მსოფლიოში I ადგილი უჭირავს ვერტ. ჭაურების გაყვანის დარგში როგორც მოცულობით, ისე გაყვანის მიღწეული ტემპის მიხედვით (401,3 *მ* თვეში). ჰორიზ. გვირაბების გასაყვანად იყენებენ საბურღ დანადგარებსა და ფუჭი ქანის სატვირთავ მანქანებს, აგრეთვე გვირაბგასაყვან კომბაინებს. ს. მ-ს აწარმოებენ შახტმშენებელი ორგანიზაციები (ჭაურების გასაყვანი, სამთო-საშახტო მოწყობილობის დასამონტაჟებელი, მიწის ზედაპირზე შენობა-ნაგებობათა მშენებელი ტრესტები და სხვ.). ს. მ-ის საკითხებს აშუქებს სამეცნ.-ტექ. და საწარმოო ჟურნალი „Шахтное строительство", გამოდის 1957-იდან მოსკოვში.



საშახტო აწევა. საშახტო აწევის სქემა: 1 — ამწევი მანქანა; 2—ბაგირები; 3—სკიპები; 4 — მიმმართველი ბორბლები; 5 — ურნალი; 6—ჩამტვირთავი მოწყობილობა; 7—ბუნკერი.

საშევარდნო, სოფელი დუშეთის რ-ნში (მაღაროსკარის სოფსაბჭო), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. შარახევის (ფშავის არაგვის შარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ*, დუშეთიდან 40 *კმ*. ვაჟა-ფშაველას სახ. მაღაროსკარის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. მაღაროსკარში (25 *კმ*).

საშემდუღებლო მასალები, ფლუსები, ელექტროდები და დამცავი აირები, რ-ებსაც იყენებენ *შედუღების* მოცემული პროცესის უხრუნველსაყოფად და შენადნობი შეურთების მისაღებად. საშემდუღებლო ფლუსები (არალითონური მასალები) რკალური შედუღებისას იცავს ლიოთონის აბაზანას გარემოს ზემოქმედებისაგან, ახორციელებს აბაზანის ლითონის ფიზ.-ქიმ. დამუშავებას და სხვ., ელექტროწიდური შედუღების დროს წარმოქმნის საჭირო ტექნოლ. თვისებების მქონე ელექტროგამტარ ნადნობს. რკალური ელექტროშედუღებისა და ელექტროწიდური გადადნობისათვის იყენებენ გრანულირებულ (მარცვლოვან) ფლუსებს.

საშემდუღებლო ელექტროდი, იხ. სტ. *ელექტროდი.*

დამცავი აირები (ინერტული და აქტიური). ინერტული აირები (არგონი, ჰელიუმი) შედუღების ზონას იცავს გარემოს ზემოქმედებისაგან. აქტ. აირები (ნახშირორჟანგი, მისი ნარევი ჟანგბადთან და არგონთან) ამასთან ერთად ცვლიან ნაკერის ლითონის შედგენილობას.

ლიტ.: Технология электрической сварки металлов и сплавов плавлением, М., 1974.

საშემდუღებლო მოწყობილობა, ნამზადებისაგან შენადნობი ნაკეთობების დასამზადებელი მანქანები, აპარატები და სამ.რჯვები. საშემდუღებლო სამუშაოების შესასრულებელ ტექნოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ს. მ-ის კომპლექსს ეწოდება საშემდუღებლო პოსტი, დანადგარი, ხოლო რამდენიმე გაერთიანებულ პოსტს ან დანადგარს — ხაზი.

ს. მ-ს განეკუთვნება ისეთი საშემდუღებლო აპარატები და მანქანები, რ-თაც აქვს კვების წყარო და შედუღების პროცესის ჩასატარებელი მოწყობილობები, შესადუღებელი დეტალების სწრაფად ასაკრეფი, შედუღებისას მათი დასაჭერი ტექნოლ. სამარჯვები, შედუღების პროცესში ნაკეთობის გადასაადვილებელი, დასამაგრებელი და საშემდუღებლო აპარატების გადასაადვილებელი დამხმარე მოწყობილობა, შემ-

დულებლის იარაღი. შედულებისას იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა სატრანსპ. საშუალებას, შენადული ნაკერის საკონტროლო ხელსაწყოებს და სხვ.

საშემდუღებლო პოსტი საწარმოო ფართობის უბანია, რ-ზეც განლაგებულია დენის წყარო, დენგამტარი, საჭირო ტექნოლ. სამარჯვება და შემდულებლის იარაღი. თანამედროვე წარმოების პირობებში გავრცელებულია ავტომატიზებული დანადგარები (ნახ. 1). საშემდუღებლო პოსტებსა და დანადგარებში შედის კვების წყაროები და შედულების პროცესში საშემდულებლო რკალის წვის სარეგულირებელი აპარატები. ელექტროშედულებისას იყენებენ საშემდულებლო ტრანსფორმატორებს, გენერატორებსა და გამმართველებს; აირალიანი დამუშავებისას — აირის გენერატორებს.

საშემდუღებლო ტრანსფორმატორის დანიშნულებაა საშემდულებლო და მკვებავი წრედების შეთანხმება, აგრეთვე რეგულატორის ფუნქციების შესრულება. რკალური შედულებისას მიმართავენ ძაბვის მექან. და ელექტრული რეგულირების ხერხებს. მექან. რეგულირებისას ცვლიან, მაგ., მანძილს პირველად და მეორეულ გრაგნილებს შორის. ელექტრულ რეგულირებას ახორციელებენ დამატებით გრაგნილებში მართვის დენების ცვლით.

საშემდუღებლო გენერატორი მუდმივი დენის ან გადიდებული სიხშირის დენის სპეც. ელექტრული მანქანაა. იყენებენ ერთპოსტიან გენერატორებს — უნივერს. ან ვარდებადი გარე მახასიათებლის მქონეს, რ-იც უზრუნველყოფს საშემდულებლო რკალის მდგრად წვას.

საშემდუღებლო გამმართველი მკვებავი წრედის ცვლად ძაბვას გარდაქმნის მუდმივად, რ-საც აქვს ვარდებადი, ხისტი ან რეგულირებადი გარე მახასიათებელი. გამმართველებს არეგულირებენ ტრანსფორმატორებით ან მართვადი ვენტილებით.

აირის გენერატორში ღებულობენ საწვავ აირებს (მაგ., აცეტილენს, კალციუმის კარბიდის წყალთან ურთიერთმოქმედების შედეგად).

რკალური შედულებისათვის განკუთვნილი საშემდუღებლო ავტომატი (ნახ. 2) მექანიზმებისა და ხელსაწყოების კომპლექსია, რ-ის საშუალებით ხორციელდება შედულებით შეერთების პროცესი: საშემდულებლო მავთულის ავტომატური მიწოდება, საშემდულებლო რკალის ანთება, გადაადგილება, მოცემული რეჟიმის შენარჩუნება და პროცესის შეწყვეტა.

საშემდუღებლო ნახევრად ავტომატში — რკალური შედულების ნახევრადავტომატში, მექანიზებულია ელექტროდის მიწოდება, ხოლო სანთურას შესადულებელი წიბოების გასწვრივ ხელით გადააადგილებენ.

ელექტროწიდური შედულების ავტომატი შედულების პროცესში გადაადგილდება რელსზე ან უშუალოდ შესადულებელი დეტალის წიბოზე. თვითმავალი მექანიზმის გარდა ავტომატს აქვს 2 ცოცია, რ-ებიც იჭერენ საშემდულებლო აბაზანას და იძულებით აჟალიბებენ ნაკერს, აგრეთვე აქვს აბაზანის სარკის გასწვრივ ელექტროდების სარხევი მექანიზმი.

საშემდულებლო საქმეში გამოყენებული სამარჯვებია: **ხრახნული ან ბერკეტული მომჭერები**, რ-ებითაც შედულებისას დეტალებს ერთმანეთზე მიაჭერენ; დეტალების ფიქსაციისათვის განკუთვნილი **მოსაჭიდები, მოსაჭიმები, განმბჯენები, დომკრატები**, რ-ებითაც შესადულებელი დეტალების წიბოებს ერთმანეთს მიუახლოებენ, დააცილებენ ან აფიქსირებენ. ნაკეთობებს ააწყობენ და შეადულებენ უნივერს. და სპეციალიზებულ **სტენდებზე**. **ფიქსატორების** დანიშნულებაა შესადულებელი დეტალების მდგომარეობის განსაზღვრა მთელი მოწყობილობის მიმართ. ნაკეთობის მუშაობისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში დასაყენებლად იყენებენ სხვადასხვანაირ **გადამყირავებლებს**, ხოლო ნაკეთობის თავისი ღერძის ირგვლივ მოსაბრუნებლად — **საბრუნებს**; შედულების პროცესში ნაკეთობის ბრუნვისათვის გამოიყენება **მანიპულატორები** და სხვ. შემდულებლის ხელსაწყოებია: ელექტროდების საჭერები, სანთურები, წიდის მოსაცილებელი ჩაქუჩი, პნევმოჩაქუჩი, საზომი ხელსაწყოები და სხვ.

ლიტ.: Бельфор М. Г., Патон В. Е., Оборудование для дуговой и шлаковой сварки и наплавки, М., 1974; Сварочное оборудование. Каталог-справочник, ч. 1—3, К., 1968—72; Чвертко А. И., Тильченко В. А., Установки и станки для электродуговой сварки и наплавки, К., 1974.

საშემდულებლო რკალი, ელექტრული რკალი, რ-იც წარმოიქმნება *შედულების* (ან ჭრის) ზონაში ელექტრული დენის ელექტროდებს შორის არეში გავლისას. ს. რ-ს ახასიათებს დაბალი ძაბვა, დიდი დენის ძალა, რკალურ შუალედში აირების იონიზაცია. რკალური განმუხტვის სვეტის დაიონებული აირი ანათებს და განმუხტვის სვეტის ღერძულ ნაწილში აქვს 6000—10000°C ტემპ-რა. ელექტროდების ბოლოებს შორის ძაბვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რკალის სიგრძეზე, დენის ძალაზე, საშემდულებლო ელექტროდების მასალასა და ზომაზე, აირის შედგენილობასა და წნევაზე, აგრეთვე სხვა ფაქტორებზე. ს. რ-ის თვისებების შესაცვლელად ცვლიან რკალის სიგრძეს (0,01-იდან 1 *სმ*-მდე), დენის ძალას (0,5-იდან 3000 ა-მდე), აირის წნევას 10^2-იდან 10^5 პა-მდე (0,001-იდან 1 *კგძ/სმ*^{2}-მდე), მასალას, ერთ-ერთი ელექტროდის ფორმას, ზომას და სხვ. ს. რ-ის თბური სიმძლავრე 10-იდან 10^5 *ჯტ*-მდეა, 10^2-იდან 10^5 *ეტ/სმ*^{2}-მდე კონცენტრაციის დროს. სიმძლავრის დიდი დიაპაზონის გამო ს. რ-ის გამოყენება შეიძლება 0,05-იდან 100 *მმ*-მდე სისქის მასალის საჭრელადაც.

საშემდულებლო სანთურა, საშემდულებლო აპარატის ნაწილი, რ-იც ელექტროშედულებისას უზრუნველყოფს ელექტროდთან ელექტრული დენისა და საშემდულებლო რკალის ზონაში დამცავი აირების მიწოდებას, ან მოწყობილობა, რ-ის ღანიშნულება აირული შედულებისას აირების რეგულირებადი შერევა და მისართული საშემდულებლო ალის წარმოქმნა. დნობადი ელექტროდით **ელექტროშედუებისათვის** განკუთვნილ ს. ს-ს აქვს დენგამტარი და ჰომარითველი საცვლელბუნიკიანი სატუჩე, რ-შიც გაუვრიან ელექტროდის მავთულს. საკშენში გადის აირის ჭავლი, რ-იც საშემდულებლო აბაზანასა და ელექტროდს ჰაერის ზემოქმედებისაგან იცავს. ისეთ ს. ს-ი, რ-შიც გამოყენებულია უდნობი ელექტროდი (ნახ.), სატუჩეს აქვს მომჭერი დენგაამტარი ცანგა. **აირული შედუებისათვის** განკუთვნილი ს. ს. შესაადულებელ ადგილს აწვდის საწვავ აირებს (მაგ., აცეტილენსა და ბუნგბადს). აირები ორი არხით გაივლის რეგულირებაე ვენტილებს, მოხვდება შემრევ კამერაში, სადაც წარმოიქმნება საწვავი ნარევი, რ-იც შემდეგ გადადის სატუჩეში. განასხვაებენ დაბალი წნევის ინჟექტორიან სანთურებს (აირს შეიწოვს ინჟექტორი) და მაღალი წნევის სანთურებს (აირი სანთურაში გაადადის აირის გენერატორიდან ან მაღალი წნევის ბალონიდან).


საშემდულებლო ფლუსი, იხ. სტატ. *საშემდულებლო მასალები.*

საშემოდგომო თესვა, *სშემოსდგომო კულტურების* თესვა შემოდგომაზე. მოსავალს იღებენ მომდევნო წლის ზაფხულში. საქართველოში ს. თ. სექტ. მუა რიიცხვებიდან იწყება და ოქტ. ბოლომდე გაგრძელდება (მთიან რ-ნებში უფრო ადრე იწყება და მალე მთავრდება). სსრკ-ში საშემოდგომო ნათესი (უმეტესად მარცლოვნებისა) 300 მლნ. ჰა-ზე მეტ ფართობს მოიცავს. საქართველოში (ძირითადად ბარში) ამ წესით ყოველწლიურად საშუალოდ 170 ათ. ჰა ითესება. *შ. ჭანიშვილი.*


საშემოდგომო კულტურები, ერთწლოვანი მცენარეები, რ-ებსაც შემოდგომაზე თესავენ და მომავალ წელს იღებენ. განვითარების პირველ პერიოდში ინტენსიურად (30—70 დღე) მათ შედარებით დაბალი ტემპ-რა (0—10°C) სჭირდებათ. საშემოდგომო ჯიშები და ფორმები აქვს ხორბალს, ქერსა და ჭვავს, ზიგ ზეითოვანს (რაფსი) და პარკოსანს (ცერცველა)). ცნობილია აგრეთვე ე. წ. **ოთესელა** მცენარეები, რ-ებსაც თესავენ როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე: ს. ჰ., საგაზაფხულო კულტურებთან შედარებით უფრო ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანია, ადრე იძლევიან მოსავალს და მოსვლის პაღების შემდეგ ამავე მიწდორზე (ტენიან და სარწყავ ადგილებში) თესავენ ინტენსიერალო კულტურებს, რ-ებიც ცხოველია საკვებ მასას იძლევიან. ს. კ. საგაზაფხულო კულტურებისათვის კარგი წინამორბედია. ს. კ-იდან ყველაზე უფრო გავრცელებულია საშემოდგომო ხორბალი, რ-საც საქართველოში დაახლ. 114 ათ. ჰა უკავია ((1980). *გ. ცაძრიშვილი.*

საშემოსავლო გადასახადი, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლებიდან (ხელფასი, მოგება და სხვ) აღებული პირდაპირი *გადასახადების* ძირითადი სახე. კაპიტალ. ქვეყნებიდან ს. გ. პირველად ინგლისში შემოიღეს 1842, რევოლუციამდელ რუსეთში — 1917. კაპიტალიზმის პირობებში ს. გ. მშრომელთა ექსპლუატაციის საშუალებაა. იმპერიალიზმის ეპოქაში იგი კაპიტალ. სახელმწიფოთა სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლის ძირითადი წყაროა. ს. გ-ისს ძირითადი გადამხდელები არიან მშრომელები.

სოციალ. ქვეყნებში ს. გ. სახელმწ. ბიუჯეტის ერთ-ერთი წყაროა. სსრკ-ში ს. გ-ს იხდიან: მოსახლეობა, კოლ-ბები, სამომხმარებლო კოოპ. და საზ. ორგანიზაციების სამეურნეო ორგანოები. ს. გ. გაიანგარიშება პროგრ. ანგარიშგებების მიხედვით, რ-ებიც დიფერენცირებულია



საშემდულებლო მოწყობილობა. ნახ. 1. რკალური ავტომატური შედულების დანადგარი: 1 — საშემდულებლო აპარატი; 2—შესადულებელი ნაკეთობა; 3—მართვის აპარატურიანი კარადა; 4 — დენის წყარო; 5—მართვის სადენები; 6—დენგამტარი; 7—ლიანდაგი; 8—სვეტიანი ურიკა; 9—გორგოლაჭვიანი სტენდი; 10—სამოსამსახურო ბაქანი.



საშემდულებლო მოწყობილობა. ნახ. 2. რკალური შედულების საშემდულებლო ავტომატი: 1—ფლუსგამწოვი; 2—საშემდულებლო თავი; 3—მიწოდების მექანიზმი რედუქტორით; 4—ამწევი მექანიზმი; 5—საავალი მექანიზმი; 6—ფლუსის აპარატი; 7—ლიანდაგი; 8—შვარდნი გორგოლაჭი; 9—სატუჩე; 10—ძაბრი ფლუსისათვის.

გადამზდელთა ჯგუფებისა და შემოსავლის ოდენობის მიხედვით (სულ 5 ჯგუფია); მაქსიმალურია 13% (როცა თვიური ხელფასია 1010 მან. და მეტი). დაბალხელფასიანი მოსახლ. დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თავისუფლდება ს. გ-ისგან. მოქმედებს საგადასახადო შეღავათებიც.

ნ. ბაგრატიონი.

საშენი მასალა, ბუნებრივი და ხელოვნური მასალები და ნაკეთობები, რ-ებსაც იყენებენ შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის დროს. ს. მ. არის ზოგადი დანიშნულებისა (მჭიდა ნივთიერება, ბეტონი, ფოლადის ნაგლინი, ხე-ტყე; გამოიყენება სხვადასხვა სამშენებლო კონსტრ. დასამზადებლად) და სპეც. დანიშნულებისა (აკუსტიკური, თბოსაიზოლაციო, ცეცხლგამძლე და სხვ.).

ს. მ.-ის ჯგუფები ტექნოლ. და საექსპლუატაციო მახასიათებლების მიხედვით: ბუნებრივი ქვის მასალა—ქვიშა, ხრეში, ყორე ქვა, ღორღი, დახერხილი ფიცრები და ბოძკები, თლილი საკედლე ქვა (მიიღება სხვადასხვა გენეტიკური ჯგუფის *ქანების* ბექან. დამუშავებით), ვულკ. წიდა (იყენებენ ბეტონის შემვსებად) და სხვ. ქანებისაგან ამზადებენ აგრეთვე ხელოვნურ ს მ-ს; კერამიკული მასალები და ნაკეთობები ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში საკედლე მასალად (აგური, კერამ. ქვები), სანიტ.-ტექ. ნაკეთობების (პირსაბანი, უნიტაზი) დასამზადებლად, შენობის გარედან და შიგნიდან შესამოსად, საბურულე მასალად და ა. შ. ამავე ჯგუფში შედის *კერამზიტი*. არაორგანული მჭიდა ნივთიერებები (სხვადასხვაგვარი *ცემენტი*, *თაბაშირი*, *კირი* და სხვ.)) გამოიყენება *ბეტონისა* და *დუღაბის* დასამზადებლად. ამჟამად ძირითადი მჭიდა ნივთიერებებია *პორტლანდცემენტი* და მისი ნაირსახეობანი. ბეტონი ფართო დიაპაზონის ფიზ.-მექან. თვისებების მქონე ხელოვნური ქვის მასალაა. მისი და ფოლადის არმატურის შერწყმით მიიღება *რკინაბეტონი*, რ-საც ბეტონთან ერთად სხვადასხვა კონსტრ. და ნაკეთობების დასამზადებლად იყენებენ. დუღაბი — იყენებენ ქვის წყობაში, ზედაპირების გამოსაყვანად და სპეც. დანიშნულებით (ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებში ნაკერების შესავსებად, საინექციოდ, იატაკის საფრად და სხვ.); ხის მასალა გამოიყენება უმეტესად სადურგლო და სიგრძივი ნაკეთობების (მაგ., პლინტუსი, მოაჯირი), ჩაშენებული ავეჯის, პარკეტის, ფანერისა და სხვათა დასამზადებლად. პერსპექტიულია ხის *წებოვანი კონსტრუქციების* გამოყენებაც. ლითონი მშენებლობაში გამოიყენება ფოლადის ნაგლინის სახით, რ-განაც ამზადებენ არმატურას რკინაბეტონისათვის, შენობის კარკასის, ხიდის მალის ნაშენს, მილსადენს, გათბობის ხელსაწყოებს, საბურულე მასალასა და სხვ. იყენებენ ალუმინის შენადნობებსაც. თბოსაიზოლაციო მასალა (მინერ. ბამბა, უჯრედოვანი ბეტონი, ქაფმინა, ვერმიკულიტი, ფიბროლიტი და სხვ.) გამოიყენება შენობა-ნაგებობათა შემომზღუდი კონსტრუქციების, სამრეწვ. დანადგარებისა და მილსადენების თბური იზოლაციისათვის, ზოგჯერ აკუსტიკურ მასალადაც. მინა უმთავრესად შუქგამტარ შემომზღუდ კონსტრუქციებში გამოიყენება. ჩვეულებრივი ფურცლოვანი მინის გარდა ამზადებენ სპეც. დანიშნულების (არმატურიან, ნაწრთობ, თბოდამცველ და სხვ.) მინასაც და ნაკეთობებსაც (მინის ბლოკი, პროფილირებული მინა და სხვ.). ორგ. მჭიდა ნივთიერებები და ჰიდროსაიზოლაციო მასალაა ბიტუმი, კუპრი და მათ ფუძეზე დამზადებული *ასფალტბეტონი*, *რუბეროიდი*, *ტოლი*, ჰიდროსაიზოლაციო პოლიმერული აფსკები და სხვ. პოლიმერულ ს. მ-ებს (სინთეზური პოლიმერის ფუძეზე მიღებული მასალები) იყენებენ იატაკის საფრად (მაგ., ლინოლეუმი, რელინი), კონსტრ. და გამოსაყვან მასალად (მაგ., მინაპლასტიკი, დეკორ. აფსკი), თბო- და ბგერათსაიზოლაციო მასალად (მაგ., ქაფპლასტი) და ა. შ. ლაქები და საღებავები ორგ. და არაორგ. მჭიდა მასალაზე დამზადებული გამოსაყვანი ს. მ-ებია, რ-ებიც კონსტრ. ზედაპირზე ქმნიან დეკორ. და დამცავ საფარს.

საქ. სსრ ადგილ. ს. მ-იდან აღსანიშნავია გრანიტი, *კირქვები*, *მარმარილო*, *ტუფი* (იხ. *შესამოსი და გამოსაყვანი მასალები მშენებლობაში*), აგრეთვე ბუნებრივი შემვსები მასალები და სხვ.

ლიტ.: ბოლქვაძე ლ., ანდრიაძე ი., საშენი მასალები, ნაწ. 1, თბ., 1978; Воробьев В. А., Комар А. Г., Строительные материалы, 2 изд., М., 1976.

ზ. წილოსანი.

საშენი მასალების მრეწველობა, მრეწველობის ერთ-ერთი დარგი, რ-იც აწარმოებს საშენ მასალას საბინაო-სამოქალაქო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის მშენებლობისათვის. ს. მ. მ. უზრუნველყოფს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის განუწყვეტელ ზრდას და მშენებლობის ტექ. პროგრესს. ამჟამად სსრკ-ს ცემენტის, აზბესტცემენტის ნაკეთობების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, აგურის, ფანჯრის მინის წარმოების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საქ. სსრ მდიდარია სხვადასხვა სახის საშენი მასალების წარმოებისათვის ვარგისი ქანებით, აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება კარბონატული ქანები მერგელი, მარმარილო, მარმარილოსებრი კირქვა, ცარცი, დოლომიტი. ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს სსრკ-ში.

რევოლუციამდელ საქართველოში საშენ მასალას აწარმოებდნენ კუსტ. მეთოდებით. 1913 გამოშვებული იყო სამშენებლო კირი — 0,42 ათ. ტ, კრამიტი — 25 ათ. $ც^2$, აგური 30 მლნ. ცალი. ს. მ. მ., როგორც მსხვილი დამოუკიდებელი დარგი, ფაქტობრივად საბჭ. ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა. საშენი მასალების პირველი მსხვილი საწარმოები იყო: კასპის ცემენტის ქ-ნა, ლრმაღელის, საბურთალოს, ნოსირის, ზუგდიდის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ქუთ., სოხუმის აგურის ქ-ნები, სურამის, წითელწყაროს, მოწამეთის, ცხაკაიას კირის ქ-ნები.


შემდგომ ექსპლუატაციაში შევიდა რუსთავის ცემენტის, კასპის შიფერის, მეტეხის ნახევრად მშრალი წნეხვის აგურის, საგარეჯოს აგურის, რუსთავის მინერ. ბამბის ნაკეთობისა და სამშენებლო თაბაშირის, აჯამეთის, ავჭალისა და ჭიათურის სილიკატური აგურის ქ-ნები; მარნეულში, იმირში, წყურგილში, ჭოროხში, ჩოლობურში, ხრამში, რიონში; გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქ-ნა, მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობისა და ასაწყობი რკინაბეტონის ქ-ნები რუსთავში, ქუთაისში, თბილისში, ბიჭვინთაში, სოხუმში, ბათუმში. (საქ. სსრ-ში წარმოებული საშენი მასალების ძირითადი სახეობანი იხ. ცხრილში).

1960-იდან ს. მ. მ-ში ხორციელდება ღონისძიებათა კომპლექსი ტექ. პროგრესის, მოწინავე ტექნოლ. და ახ. მაღალმწარმოებლურ მოწყობილობათა დანერგვის, ახ. ეფექტური მასალებისა და ნაკეთობების გამოშვების, ტექ. გადაიარაღებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ათვისებულია სწრაფმყარებადი, სულფატმედეგი და ჰიდროტექ. ცემენტის, სახურავი და ჰიდროსაიზოლაციო მასალების, მოსაპირკეთებელი ფერადი და ზედაპირულშრიანი ფილების, აფუებული პერლიტისა და სხვათა გამოშვება.

ს. მ. მ-ის მოწინავე საწარმოებია თბილ. კერამ. და თბილ. საშენ მასალათა კომბინატები, რ-ებიც აღჭურვილია მოსაპირკეთებელი, მსხვილზომიანი ფასადური ფილების სანიტ.-ტექ. ნაკეთობების, პლასტმასის მილებისა და დეკორ. გამოსაყვანი მასალების მთლიანად ავტომატიზებული ნაკადურ-კონვეიერული საწარმოო ხაზებით


ო. ლოლაშვილი.

საშველმფრენო სპორტი, მოიცავს განსაზღვრული დროის მანძილზე მცირე სიმაღლეზე პილოტირების სიზუსტეში შეჯიბრებათა კომპლექსს და *შველმფრენის* მართვას. სსრკ-ში ერთიან სპორტ. კლასიფიკაციაში შეტანილია 1956-იდან. ს. ს-ს ხელმძღვანელობს სსრკ ს. ს-ის ფედერაცია, დოსააფის რესპ. და საოლქო კომიტეტები, სამხ. ძალებში — საავიაციო სპორტ. კომიტეტი. პირველი საკავშ. შეჯიბრება „მი" შველმფრენებით ჩატარდა 1958 კალუგაში.



საშემდუღებლო რკალი. რკალური განმუხტვის სქემა შედუღების დროს: 1—კათოდი; 2—აირული განმუხტვის სვეტი; 3—ანოდი; 4—საშემდუღებლო რკალის ალი.

მფრინავებს, რ-ებიც მიაღწევენ დახელოვნების განსაზღვრულ დონეს, ენიჭებათ I, II ან III თანრიგის მფრინავ-სპორტსმენის წოდება, ხოლო I თანრიგის მფრინავ-სპორტსმენებს, რ-ებიც ქულების განსაზღვრულ რაოდენობას მოაგროვებენ, — სსრკ სპორტის ოსტატის წოდება. საბჭ. სპორტსმენებს საშ. და მძიმე შველმფრენებით 100—2000 *კმ* დისტანციაზე სისწრაფეში დამყარებული აქვთ თითქმის ყველა მსოფლიო რეკორდი, ყველა რეკორდი ფრენის სისწრაფესა და სიმაღლეში 1—25 ტ-მდე კომერც. ტვირთით და ქალების ყველა მსოფლიო რეკორდი.



საშემდუღებლო სანთურა. უდნობი ელექტროდით შედუღებისათვის განკუთვნილი ხელის სანთურა: 1 — დენმიმყვანი ცანგა; 2—საქშენი; 3—აირის კამერა; 4—სატუჩე; 5—აირის ვენტილი; 6—აირის არხი და დენმიმყვანი; 7—სახელური.

საშენი მასალებისა და ნაკეთობების ძირითად სახეობათა წარმოება საქართველოში

მასალისა და ნაკეთობის სახეობა	1920	1930	1940	1950	1960	1970	1981 (გეგმა)
ცემენტი (ათ. ტ) . .	—	130	118	264	1256	1451	—
ფურცლოვანი აზბესტცემენტი (მლნ.პირობითი ფილა) . . .	—	—	—	21	45	66,1	65,4
საკედლე მასალები, მ. შ. აგური (მლნ. ც)	30	26	92	142	471 348	667 388	752,3 320,2
სამშენებლო კირი (ათ. ტ)	42	50	64	107	248	121	—
კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები (ათ. $ც^2$)	—	—	—	—	361	443	783
იატაკის კერამიკული ფილები (ათ $ც^2$) . .	—	—	—	—	83	126	170
სამშენებლო თაბაშირი (ათ. ტ)	—	—	41	69	131	37	—
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები (ათ. $ც^2$)	—	—	—	—	282	923	1780,7

სასქესო ჰორმონების მოქმედების შედეგია. ხშირად ს-ს უწოდებენ კვერცხსავლების გაფართოებულ უბნებს, სადაც ხდება მხოლოდ კვერცხების ინკუბაცია და გამოჩეკა ან გაუნაყოფიერებელი კვერცხების გარსით შემოსვა. *ლ. ნათაძე.*

ადამიანის ს. მსხლის ფორმის ღრუ კუნთოვანი ორგანოა, მდებარეობს მცირე მენჯის ღრუში, შარდის ბუშტსა და სწორ ნაწლავს შორის. ს-ში არჩევენ ზედა ნაწილს — ს-ს სხეულს, რ-იც ბოლოვდება განიერებული ძირით, და ქვედა, შევიწროებულ ნაწილს ს-ს ყელს. არანამშობიარები ქალის ს-ს სიგრძეა 7—8 *სმ*, წონა 40—50 გ. ნამშობიარები ქალის ს. უფრო დიდია — სიგრძე 8—10 *სმ* და წონა 70—100 გ. ს-ს ღრუ ქვევით ყელის არხის საშუალებით უკავშირდება საშოს, ხოლო ზევით ს-ს ლულებს. ს-ს კედელს ქმნის 3 გარსი: შიგნითა — ლორწოვანი (ენდომეტრიუმი), შუა — კუნთოვანი (მიომეტრიუმი) და გარეთა — სეროზული (პერიმეტრიუმი). ს-ს გვერდებზე კარგად არის განვითარებული შემაერთებელი ქსოვილი — პარამეტრიუმი. სეროზული გარსი *პერიტონეუმის* გაგრძელებაა მცირე მენჯის ღრუში. ს-ს წინა კედლიდან იგი გადადის შარდის ბუშტზე, ხოლო უკან — სწორ ნაწლავზე და ქმნის შარდის ბუშტ ს-ს და მეტად მნიშვნელოვან სწორ-ნაწლავ ს-ს (დუგლასის) ორმოებს, რ-ებშიც ხვდება მომწიფებული კვერცხი. ს-ს გვერდებზე მისი მფარავი წინა და უკანა სეროზული ფურცლები ეკვრიან ერთმანეთს და ქმნიან ს-ს დამაფიქსირებელ განიერ იოგს. ს-ს კედლის უმეტეს ნაწილს ქმნის სამშრიანი აგებულების (1,5—2 *სმ* სისქის) და სხვადასხვა მიმართულების მქონე გლუვკუნთოვანი ბოჭკოებისაგან შემდგარი კუნთოვანი გარსი. ლორწოვანი გარსი ამოფენილია ერთშრიანი ცილინრული მოციმციმე ეპითელიუმით, აქვს საკუთარი შემაერთებელქსოვილოვანი შრე, რ-შიც გაფანტულია მარტივი, მილაკოვანი ტიპის ჯირკვლები. ს-ს ანომალიებს, რ-თაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ს-ს რუდიმენტული მდგომარეობა (მისი უქონლობა), ღრუს გაყოფა (ორკამერიანი ან ორრქიანი ს.) და სხვ., განაპირობებს ს-ს ემბრიონული განვითარების დარღვევები. *ზ. კაციტაძე.*

საშვილოსნოს გამოვარდნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში (Proapsus uteri), საშვილოსნოს ნაწილობრივი გადაადგილება სასქესო ხვრელის მიმართულებით (არასრული გამოვარდნა) ანდა მისი მთლიანი გადმობრუნება სასქესო ხვრელის გზით (მთლიანი გამოვარდნა). უმთავრესად აბორტისა და ზვების პირველ საათებში ემართებათ ძროხებს, უფრო ი შ ვ ი ა თ ა დ — წვრილ მცოხნელებს, ღორებს, ცხენებს, გამონაკლის შემთხვევებში — ხორციჭამია ცხოველებს. *კ. გუგუშვილი.*

საშვილოსნოს გამოფხეკა, საშვილოსნოს სხეულის ლორწოვანი გარსის გამოფხეკა მახვილი ხელსაწყოთი (კოვზი, კიურეტი). მიმართავენ დიაგნოსტიკური მიზნით, *აბორტის* გასაკეთებლად, მუცლის არასრული მოშლის, საშვილოსნოდან სისხლდენის და სხვ. დროს.

საშვილოსნოსგარე ორსულობა, ადამიანის ჩანასახის განვითარება საშვილოსნოს ღრუს გარეთ. კვერცხის მიმაგრების (იმპლანტაციის) ადგილის მიხედვით განარჩევენ ლულის (99%), საკვერცხისა და მუცლის ღრუს ს. ო-ს. სპერმატოზოიდით კვერცხის განაყოფიერება ხდება საშვილოსნოს ლულაში (იხ. *ორსულობა*), მაგრამ თუ ლულის ლორწოვანი გარსის ეპითელიუმის დაზიანების გამო (სასქესო ორგანოების ანთების, აბორტის, გონორეის და სხვათა შედეგად) ლულაში კვერცხის საშვილოსნოსაკენ გადაადგილება დარღვეულია, ვითარდება ს. ო.

ს. ო-ის შეწყვეტა უმეტესად ხდება მე-4-6 კვირას ლულის კედლის გასკდომის გამო, აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ კვერცხი დამაგრდა ლულის მუცლისკენა ბოლოზე ან ლულის შეკუმშვის შედეგად მოსწყდა მას და მოხვდა მუცლის ღრუში (ლულის აბორტი). ს. ო-ის შეწყვეტას თან სდევს უხვი სისხლდენა და ძლიერი ტკივილი მუცლის ქვემო ნაწილში (ტკივილისაგან ქალი შეიძლება შოკში ჩავარდეს). ს. ო-ის დასადგენად აუცილებელია დამატებითი გამოკვლევა (ორსულობის დასადგენი ლაბორ. სინჯი, საშოს უკანა თაღის პუნქცია და სხვ.) და 2—3 კვირის მანძილზე ავადმყოფზე დაკვირვება. იშვიათად აბორტის შემდეგ კვერცხი შეიძლება დამაგრდეს მუცლის ღრუში (მუცლის მეორეული ორსულობა) და იქ განვითარდეს; მუცელკვეთის ოპერაციის დროს, ძლიერ იშვიათად, შესაძლებელია ცოცხალი, ზრდადასრულებული ბავშვის ამოყვანა.

მკურნალობა: დაზიანებული ლულის ქირურგ. მოცილება. ყველა ქალს, რ-საც გაკეთებული აქვს ოპერაცია ს. ო-ის გამო, მეორე ლულაში განმეორებითი ს. ო-ის თავიდან ასაცილებლად ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა.

საშვილოსნოს დაწევა, საშვილოსნოს გადაადგილება მენჯის ღერძიდან ქვემოთ. თუ საშვილოსნო სცილდება სასქესო ნაპრალის საზღვრებს, ლაპარაკობენ საშვილოსნოს გამოვარდნაზე. ს. დ. უმეტესად გვხვდება მრავალჯერ ნამშობიარებ ქალებში მენჯის ძირსა და მუცლის ღრუს წინა კედლის მოდუნების შედეგად. დიდი მნიშვნელობა აქვს მშობიარობის პროცესში შორისის ჩახევებს, მშობიარობის შემდგომ პერიოდში მძიმე ფიზ. შრომას, საშვილოსნოს არასწორ მდებარეობას. ს. დ-ს ხშირად დაერთვის საშოს კედლების დაწევა, რასაც მოსდევს შარდის ბუშტისა და სწორი ნაწლავის კედლების დაწევაც. ს. დ-ს შეიძლება მოჰყვეს მცირე მენჯში სისხლის შეგუბება; საშვილოსნო იზრდება მოცულობაში, შეშუპებულია, მუცლის ქვემო ნაწილში აღინიშნება ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება, დამახასიათებელია *თეთრად შლა*, შარდის ბუშტის ფუნქციის მოშლა (ხშირი შარდვა, ხველებისა და სიცილის დროს შარდის უნებლიე გამოყოფა, შარდვის შეკავება და სხვ.).

მკურნალობა: წყლის პროცედურები, სპეც. ვარჯიში, სრულფასოვანი კვება, დიდი მნიშვნელობა აქვს შრომისა და დასვენების რეჟიმის მოწესრიგებას. მკაფიოდ გამოხატული ს. დ-ის დროს საჭიროა ქირურგ. ოპერაცია.

პროფილაქტიკა: მშობიარობისას მენჯის ძირის დაზიანების შემთხვევაში კუნთების მთლიანობის აღდგენა; ფიზკულტურა; ქალის შრომის დაცვა და შრომატევადი სამუშაოს მექანიზება.

საშინაო ვაჭრობა, სახალხო მეურნეობის დარგი, რ-იც ახორციელებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას ქვეყნის საშინაო ბაზარზე. იგი მოიცავს *საბითუმო* და *საცალო ვაჭრობას*. ს. ვ-ის ბუნება, ფორმები და მისი მარეგულირებელი ეკონ. კანონები განისაზღვრება შესაბამისი *წარმოების წესით.*


კაპიტალიზმის პირობებში ს. ვ. ემყარება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, გამოხატავს კაპიტალ. ექსპლუატატორულ *წარმოებით ურთიერთობას*, ემსახურება კაპიტალ. წარმოების ინტერესებს და წარმოადგენს *სავაჭრო კაპიტალის* გამოყენების სფეროს მონოპოლ. კაპიტალიზმის პირობებში ს. ვ-ში ჭარბობს მსხვილი მონოპოლიები (სინდიკატური გაერთიანებები, მსხვილი უნივერსმაღაზიები და ა. შ.), რომლებიც ეწევიან იმორჩილებენ საბითუმო ვაჭრობის სფეროს და სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენენ საცალო ვაჭრობაზეც. ისე სპეციალიზებული ობიექტების შექმნით, როგორიცაა „სავაჭრო ცენტრები", „უნივერსმაღაზიები", „დაბალი ფასების" მაღაზიები და ა. შ. არც თუ იშვიათად სამრეწვ. და საბანკო მონოპოლიები თავის თავზე იღებენ რეკლამის, საცალო ქსელის ობიექტის გაფორმების, ქონლის გამოფენის დაფინანსების ხარჯებს. ამრიგად, მონოპ. კაპიტალი მთლიანად იმორჩილებს საცალო ვაჭრობას.

სოციალიზმის დროს ს. ვ. ემყარება წარმოების საშუალებებზე სახალხო საკუთრებას, გამოხატავს სოციალ. წარმოებით ურთიერთობას და ემსახურება საზ. წარმოების განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების ინტერესებს. სოციალ. სახელმწიფო განსაზღვრავს წარმოების მოცულობას, მოხმარებისა და დაგროვების თანაფარდობას, გეგმავს ხელფასის ფონდს, არეგულირებს ფასებს, სასაქონლო რესურსების მოძრაობას, ავითარებს ვაჭრობის მატერიალ.-ტექნ. ბაზას და ამით გეგმაზომიერად წარმართავს ს. ვ-ის განვითარებას.

სსრკ კავშირში ს. ვ. მოიცავს ვაჭრობას, როგორც წარმოების საშუალებებით, ისე პირადი მოხმარების საგნებით. ს. ვ. წარმოების საშუალებების ხორციელდება *მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების* ფორმით. პირადი მოხმარების საგნებით ს. ვ. მოიცავს სახ. მოხმარების საგნებით საბითუმო და საცალო ვაჭრობას. სსრკ-ში ს. ვ-ს ორგანიზაციულად მიეკუთვნება *საზოგადოებრივი კვება*, რ-ის წილი საცალო საქონელბრუნვაში 1981-თვის შეადგენდა 9,2%-ს, ხოლო საქ. სსრ-ში — 10,9%-ს.

სსრკ-ში ს. ვ-ის საბითუმო და საცალო საწარმოები საკუთრების ფორმების მიხედვით იყოფა სახელმწიფო და კოოპ. საწარმოებად. სახელმწიფო ვაჭრობა ემყარება სახელმწ. საკუთრებას და ასრულებს გადამწყვეტ როლს ქ-ებისა და სამრეწვ. ცენტრების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში. საქონელბრუნვის სოციალ. განსაზოგადოებასთან ერთად იზრდება სახელმწ. საქონელბრუნვა. წ. წ. მთლიან საქონელბრუნვაში. 1981 სახელმწ. ვაჭრობაზე მოდიოდა სს მთლიანი საცალო საქონელბრუნვის 66,7%, 1981 კი — 69,7%. საქ. სსრ-ში 1960 ხელმწ. ვაჭრობაზე მოდიოდა მთლიანი საქონელბრუნვის 61,6%, ხოლო 1981 — 69,3%.

კოოპ. ვაჭრობის საწარმოები მოხერხებულობას უწევენ უმთავრესად სოფლის მოსახლეობას. 1960 კოოპ. ვაჭრობაზე მოდიოდა სსრკ მთლიანი საქონელბრუნვის 28,8%, ხოლო 1979 — 27,7%. საქ. სსრ-ში 1960 კოოპ. ვაჭრობაზე მოდიოდა 28,4%, 1981 — 30,7%. სახელმწ. და კოოპ. ვაჭრობა მიეკუთვნება ორგანიზებულ ბაზარს, სადაც ვაჭრობა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული გეგმებისა და მტკიცე ფასების საფუძველზე ხორციელდება. სახელმწიფო და კოო-



საშვილოსნო: 1 — საშვილოსნოს ფუძე; 2— საშვილოსნოს ღრუ; 3—საკვერცხის საკუთარი იოგი; 4— საშვილოსნოს ლულა; 5— ლულის ამპულა; 6 — ლულის ფოჩი; 7 — საკვერცხე; 8—საშვილოსნოს განიერი იოგი; 9—საშვილოსნოს არტერია; 10 — საშვილოსნოს ყელის არხი; 11 — საშვილოსნოს პირი; 12 — საშო; 13—საშვილოსნოს შიგნითა გარსი (ენდომეტრიუმი); 14—საშვილოსნოს კუნთოვანი გარსი (მიომეტრიუმი); 15—საშვილოსნოს სხეული.

ჯაჭრობასთან ერთად ფუნქციონირებს ...გრეთვე *საკოლმეურნეო ვაჭრობა*. სა-...ოლმ. ვაჭრობის ეკონ. საფუძველია კოოპ. ...აკოლმ. საკუთრება და კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეების პირადი დამზმა-...ე მეურნეობები. მიუხედავად იმისა, რომ ...აკოლმ. ვაჭრობა არაორგანიზებულ ბა-...ხარს მიეკუთვნება, იგი არაპირდაპირ ...უმთავრესად სახელმწ. და კოოპ. ვაჭრო-...ის განვითარების გზით) მაინც განიცდის ...ახელმწიფოს ზეგავლენას. 1960 სსრკ-...ი საკოლმ. ვაჭრობის ხვ. წ. მთლიან სა-...ონელბრუნვაში შეადგენდა 4,5%-ს, 1979 ...ი—2,6%-ს. საქ. სსრ-ში 1960 საკოლმ. ვაჭ-...რობის ხვ. წ. 10%-ს აღწევდა, ხოლო 1980 ...იგი 4,0%-მდე შემცირდა. როგორც სოცი-...ალ. მშენებლობის პრაქტიკა ცხადყოფს, ...საკოლმ. ვაჭრობა მომავალშიც გარკვე-...ული პერიოდის მანძილზე კვლავ მნიშვნე-...ოვან როლს შეასრულებს მოსახლ. სურ-...ათით მომარაგების საქმეში.

სსრკ სახელმწ. და კოოპ. ვაჭრობის ...აქონელბრუნვამ საზ. კვების ჩათვლით ...980 მიაღწია 268 მლრდ. მან. (1960-თან ...ედარებით 32,6%-ით გაიზარდა), საქ. ...სრ-ში კი — 4,2 მლრდ. მან. (1960-თან ...ედარებით 33,9%-ით გადიდდა). „სსრ ...კავშირის ეკონომიკური და სოციალური ...ანვითარების 1981—1985 წლებისა და ...990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმარ-...ულებების“ თანახმად, ჩვენს ქვეყანაში XI ხუთწლედში (1981—1985 წწ.) საცალო ...აქონელბრუნვა უნდა გაიზარდოს 22—...5%-ით, ხოლო საქ. სსრ-ში 35%-ით და ...ეტად. აღნიშნული პროგრამის განხორ-...იელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ...ოსახლეობის მატერ. და კულტ. ცხოვრე-...ის დონის ამაღლებას. *მ. ჭუმბურიძე.*

„საშინელი სამსჯავრო“, მთელ რიგ ...ელიგიებში (იუდაიზმი, ქრისტიანო-...ა, ისლამი) უკანასკნელი განკითხვის დღე, ...ა-იც გამოავლენს „ცოდვილსა“ და „უცოდ-...ელს“. ძვ. ეგვიპტის საიქიოს სამსჯავრო ...ხარისის წინაშე ქრისტიანული განკითხ-...ის დღის ხატწერილობის პირველსახეა. ...ქედან წარმოდგება იოანეს გამოცხადება-...ი (ახ. წ. I ს.) ქრისტეს „მეორედ მოსვ-...ის“ იდეა. „და მრქუა მე: ვიქმენ მე ანი ...ა ჰოჲ, დასაბამი და დასასრული. მე ...წყურიელსა მივსცე წყაროჲსა მისგან წყლი-...ა ცხოველისაჲ უსასყიდლოდ. რომელმან ...ძლოს, მივსცე მას ესე ყოველი, და ვიყო ...ისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა ძე. ხო-...ე მოშიშთა და ურწმუნოთა და ცოდვილ-...ა და საძაგელთა და კაცის მკვლელთა და ...ეძავთა და მწამლელთა და კერპთმსა-...ურთა და ყოველთა მტყუვართაჲ ნაწილი ...ათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა და წუმ-...ებითა მოტყინარესა, რომელ არს სიკუ-...ილი იგი მეორედ“.

ქრისტიანობისა და იუდაიზმისაგან გან-...ვავებით ისლამი ამტკიცებს, რომ მისი ...მდევრებისათვის ჯოჯოხეთის წამება ...არადიული არ არის.

საშინელი სამსჯავროს წიგნი“ („Domesday Book“), ინგლისში უი-...იამ I დამპყრობლის ინიციატივით 1086 ...ატარებული საყოველთაო საადგილმამუ-...ო აღწერა. „ს. ს. წ-ში“ დაწერილებით ...ყო აღნიშნული რომელი მამულები ეკუთვ-...ოდა ყოველ საგრაფოში მეფეს, სასული-...რო და საერო სენიორებს, რამდენი იყო ...მამულებში *ვილანი*, *სერვი*, თავისუ-...ალი გლეხი. „ს. ს. წ.“ ფეოდ. ევროპის ...ოციალ-ეკონ. ისტორიის ერთ-ერთ ყვე-...აზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ნგლ. გლეხური მოსახლეობის იურიდ. ...ტატუსის ფიქსაციით „ს. ს. წ-მა“ გლეხ-...ა მდგომარეობის გაუარესება და მანამ-...ე თავისუფალი გლეხების ყმა გლეხებად ...ადაქცევა განაპირობა.

აჭო, ძუძუმწოვართა სასქესო სადინარე-...ის ბოლო ნაწილი, რ-ითაც ნაყოფი გა-...ოდის გარეთ. ზოგი უხერხემლოს (მაგ., ...ელი რიგი ბრტყელი ჭიების) ს. წარ-...ადგენს გარეგან საფარველთა მილი-სებრ ჩანაბრუნს, რ-ის ერთი ბოლო გარეთ იხსნება, მეორე კი — პარენქიმაში. ძუძუმწოვრების ს. *კეერცხსავალების* ქვედა ნაწილია. ქვემოთ ს. გადადის შარდსასქესო სინუსში, რ-იც ძუძუმწოვრებში ქმნის კარიბჭეს; ჩანთოსნების, ჩლიქოსნების, მღრღნელების, ნახევრად მაიმუნებისა და პრიმატების ს-სა და კარიბჭის საზღვარზე არის საქალწულო აპკი. *ლ. ნათაძე.*

ადამიანის ს., 10—11 *სმ* სიგრძისა და 2—3 *სმ* დიამეტრის მქონე კუნთოვან-ელასტიკური მილი, მოთავსებულია მცირე მენჯის ღრუში, სწორ ნაწლავსა და შარდის ბუშტს შორის. მისი შიგნითა ბოლო დაკავშირებულია საშვილოსნოს ყელთან, რ-თანაც ს. ქმნის წინა და უკანა თაღებს, გარეთა ბოლო კი იხსნება სასქესო ნაპრალში. ს. სამშობიარო გზის ნაწილია. ქალწულის ს-ს გარეთა ხვრელი შემოსაზღვრულია სხვადასხვა ფორმის საქალწულო აპკით. ს-ს წინა და უკანა კედლები ერთმანეთს ეხება და შედგება შიგნითა — ლორწოვანი, შუა — კუნთოვანი და გარეთა — შემაერთებელქსოვილოვანი გარსებისაგან. ლორწოვანი გარსი ამოფენილია მრავალშრიანი ეპითელიუმით. ს-ს წინა კედლის ლორწოვან გარსზე კარგად არის გამოხატული ორი გასწვრივი და მრავალი განივი ნაოჭი, ლორწოვანი გარსი მოკლებულია ჯირკვლებს და მუდმივად შეიცავს მცირეოდენ სითხეს. ანომალიებიდან აღსანიშნავია ს-ს გაორება ან მისი უქონლობა, რაც ძალიან იშვიათია.

საშპალერო სამუშაოები, კედლისა და ტიხრის შიგა ზედაპირის შემოსვა *შპალერით*, *ლინკრუსტით* ან სინთეზური აფსკური მასალით. შპალერს იყენებენ უმთავრესად საბინაო მშენებლობაში. იგი წარმოადგენს შემოსვის სამუშაოთა დასკვნით პროცესს. შპალერის გაკვრის წინ კედლის ან ტიხრის ზედაპირს საგულდაგულოდ აშრობენ და ასწორებენ. ბეტონის, შელესილ ან მერქანბოჭკოვანი ფილებით შუმოსილ ზედაპირებზე აკრავენ ქაღალდს (მაკულატურას), ხის კონსტრუქციებს კი გადააკრავენ სამშენებლო მუყაოს. შპალერის გაკვრამდე მის რულონებს ჭრიან სათანადო სიგრძის ნაჭრებად და მათ უკანა ზედაპირს უსვამენ სინთეზურ ბუბკოს. უბრალო ქაღალდის შპალერს აკრავენ პირგადადებით, მკვრივს კი — პირდებმულად. ლინკრუსტის გაკვრის დროს გამზადებულ ნაჭრებს ანვევენ რულონებად, 5—10 *წთ*-ის განმავლობაში ასველებენ ცხელი წყლით ($t=50-60^\circ C$) და 8—10 *სთ*-ით ტოვებენ ტენიან მდგომარეობაში, რის შემდეგ ნაჭრები ხდება მოქნილი. ლინკრუსტს აკრავენ პირდებმულად კაზეინის წებოს მეშვეობით. სინთეზურ მასალას ჭრიან სათანადო ნაჭრებად, აცლიან მათ ფუძეშრეს და აკრავენ მოსწორებულ ზედაპირზე ზემოდან ქვემოთ. **საშტატო განრიგი**, იხ. *შტატი*.

საშუალო, საშუალო ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში. შდრ. *საუფროსო*.

საშუალო არითმეტიკული, n რიცხვის $a_1, a_2, \ldots, a_n$ ს. ა. არის რიცხვი a, რ-იც მიიღება მოცემული რიცხვების ჯამის გაყოფით ამ რიცხვთა რაოდენობაზე: $a=(a_1+a_2+\cdots+a_n)/n$.

საშუალო გაანთლება, ტრადიციული საბელწოდება განათლების ძირითადი საფეხურისა მთელ რიგ ქვეყნებში. აღმოცენდა განათლების დონეთა დიფერენციაციის შედეგად (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი). XV—XVI სს-ში ჩამოყალიბდა ს. გ-ის სისტემები: *კლასიკური განათლება*, *რეალური განათლება*. არსებობს ზოგადი ს. გ. და *საშუალო სპეციალური განათლება*. ს. გ. მიზნად ისახავს მოსწავლეთა შეიარაღებას მეცნ. საფუძვლების ცოდნით და პრაქტ. უნარ-ჩვევებით, რაც მათ სახ. მეურნ., კულტ. და ყოფის სხვადასხვა სფეროში გამოადგებათ. ახალგაზრდები ზოგად ს. გ-ს ღებულობენ საშ. ზოგადსაგანმან. სკოლაში, ხოლო სსრკ-სა და ზოგიერთ სხვა სოციალ. ქვეყანაში — აგრეთვე პროფტექ. და საშ. სპეც. სასწავლებლებშიც (როგორც ბაზა სპეციალობის მისაღებად).

ზოგადი და სპეც. ს. გ-ის შინაარსი და ამოცანები იცვლება საზ. წარმოების მოთხოვნათა შესაბამისად, განისაზღვრება საზ. ურთიერთობებით, მეცნ., ტექ. და სახ. განათლების განვითარების დონით. სსრკ-ში ს. გ. ორგანულად არის დაკავშირებული კომუნისტურ აღზრდასთან და მიმართულია პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისაკენ. კაპიტალ. ქვეყნებში ს. გ. ატარებს კლასობრივ ხასიათს. მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების შესახებ და სსრკ-ისა და მოკავშირე რესპ., აგრეთვე ავტ. რესპ. და ოლქების ს. გ-ის შესახებ იხ. საქვეყანათმცოდნეო სტატიების ქვეთავი — საბალღო განათლება.

საშუალო გეომეტრიული, n დადებითი რიცხვის $a_1, a_2, \ldots, a_n$ ს. გ. არის რიცხვი a^*, რ-იც ტოლია n-ური ხარისხის ფესვისა მოცემული რიცხვების ნამრავლიდან:

$$a^*=\sqrt[n]{a_1a_2\cdots a_n}.$$

a და b რიცხვის x ს. გ-ს ეწოდება ს ა შ უ ა ლ ო პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი: $x=\sqrt{ab}$.

საშუალო გრინვიჩის შუაღამე, *საშუალო მზის* ქვედა კულმინაციის მომენტი საწყის (გრინვიჩის) მერიდიანზე. ს. გ. შ-იდან აითვლება (დღე-ღამის განმავლობაში) მსოფლიო დრო, რ-იც წარმოადგენს *საშუალო მზისიერ დროს* ამ მერიდიანზე.

საშუალო კვადრატული, n რიცხვის $a_1, a_2, \ldots, a_n$ ს. კ. არის რიცხვი (s), რ-იც ტოლია კვადრატული ფესვისა მოცემული რიცხვების კვადრატების საშ. არითმეტიკულიდან: $s=\sqrt{(a^2_1+a^2_2+\cdots+a^2_n)/n}$.

საშუალო მზე, *ცის სფეროს* წარმოსახვითი წერტილი, რ-იც თანაბრად მოძრაობს ცის ეკვატორზე და გაზაფხულის *ბუნიობის* წერტილის მიმართ 1 სრულ ბრუნს *ტროპიკული წელიწადის* განმავლობაში ასრულებს. შემოიღეს XVIII ს-ში *საშუალო მზისიერი დროის* გასაზომად, რადგან ჭეშმარიტი მზისიერი დღე-ღამის ხანგრძლივობა წლის განმავლობაში 50 *წმ*-მდე სიდიდის უთანაბრო რხევებს განიცდის დედამიწის ორბიტის ელიფსურობისა და მისი სიბრტყის ეკვატორისადმი დახრის გამო. ჭეშმარიტ და საშ. მზის პირდაპირ აღელენათა სხვაობას *დროის სწორება* ეწოდება.

საშუალო მზისიერი დრო, საშუალო დრო, დროის აღრიცხვის სისტემა, რ-იც ემყარება წარმოსახვითი *საშუალო მზის* დღეღამურ მოძრაობას. აითვლება საშ. შუაღამიდან (საშ. მზის ქვედა კულმინაციის მომენტი) და უდრის საშ. მზის *საათკუთხეს* + 12 *სთ*. იხ. აგრეთვე სტ. *დრო*.

საშუალო მჟავიანობის ქანები, მაგმური ქანები, რ-ებიც 56—65% კაჟმიწას შეიცავენ. განასხვავებენ ნატრიუმიან (მაგ. *დიორიტი*, ანდეზიტი) და კალიუმიან (მაგ., *სიენიტი*, *ტრაქიტი*) ს. მ. ქ-ს.

საშუალო პროპორციული, იხ. სტ. *საშუალო გეომეტრიული*.

საშუალო ჟუზი, ყაზახ გვარეულობათა და ტომთა ჯგუფი, რ-თაც ეკავათ ახლანდ. ჩრდ., ცენტრ., ჩრდ.-აღმ. და აღმ. ყაზ. ტერიტორია. ჩამოყალიბდა XVI ს. დამდეგს. ს. ჟ-ის მიწები უმნიშვნელოვანესი ეთნ. ცენტრი იყო, სადაც წარმოიქმნა ალანთა და სხვა ხალხების ტომთა გაერთიანებები. ს. ჟ. აერთიანებდა მრავალ ტომს, მ. შ. ყივჩაყებს. მოსახლ. ძირითადად მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდა. ისინი მეცხოველეობის პროდუქტებს ცვლიდნენ პურზე, სახელოსნო ნაწარმსა და სამრეწვ. საქონელზე. ს. ჟ-ის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს შეიქმნა ფეოდ. სახანოები. ს. ჟ-ის გაძლიერებულმა ეკონ. ურთიერთობამ რუსეთთან, ჯუნღარის ფეოდალთა თავდასხმებმა და ძარცვამ დააჩქა-

რა ს. შ-ის რუს. შემადგენლობაში შესვლის პროცესი (XVIII ს. 40-იანი წწ.).

საშუალო სასკოლო ასაკი, იხ. *გარდამავალი ანუ კრიტიკული ასაკი.*

საშუალო სიდიდეები სტატისტიკაში, თვისებრივად ერთგვაროვანი და რაოდენობრივად ურთიერთგანსხვავებული სიდიდეების განზოგადებული ტიპური მახასიათებელი. ს. ს. კრებსით სტატისტ. სიდიდეთა ყველაზე გავრცელებული ფორმაა. სოც.-ეკონ. მოვლენების ანალიზში ს. ს-ის გამოყენების კლასიკური ნიმუშები მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში. კ. მარქსი საქონლის წარმოებაზე გაწეულ საშ., ანუ საზოგადოებრივად აუცილებელ შრომით დანახარჯებს ღირებულების სუბსტანციად თვლიდა. ვ. ი. ლენინი გლეხური მეურნეობების საშ. შემოსავლებს სოც. ნიშნით დაჯგუფების მიხედვით შეისწავლიდა, სხვა სახით გაანგარიშებულ ს. ს-ს იგი ფიქციურ, განყენებულ ს. ს-ს უწოდებდა.

სოციალ. საზ-ბაში ს. ს-ს ფართოდ იყენებენ ეკონ. პროცესების დაგეგმვისა და ანალიზში, განსხვავებით კრებსითი მაჩვენებლებისაგან, ს. ს. გამორიცხავს შემთხვევითი გადახრების გაელვნას შედეგობრივ სიდიდეზე, ეს სიდიდეები გაზაზოგადებს ერთობლიობის ერთეულთა ინდივიდ. თვისებებს. ს. ს. ერთობლიობის რაოდენობრივი დონის სწორ შეფასებას იძლევა მხოლოდ დიდი რაოდენობის თვისებრივად ერთგვაროვანი ერთეულებისათვის, ხოლო მცირე ერთობლიობებისათვის მან შეიძლება დაამახინჯოს სინამდვილე. ამ მხრივ იგი მჭიდრო კავშირშია *დიდ რიცხვთა კანონთან.* ს. ს-ის ნაკლოვანებანი ხშირად განპირობებულია მონაცემების არასწორი დაჯგუფებებით, მაგ., მუშათა საშ. გამომუშავების ნორმების მიღმა იმალება მოწინავეთა და ჩამორჩენილთა მიერ გამომუშავების ნორმების შესრულება. იგივე ითქმის, საშ. ხელფასის, საშ. ასაკისა და სხვა მაჩვენებელთა მიმართ. მსგავსი შეცდომების თავიდან აცილება შესაძლებელია მეცნიერულად დასაბუთებული დაჯგუფებების შექმნით.

ს. ს-ის მეცნ. გაგება ემყარება ზოგადი და ინდივიდ., მასობრივი და ერთეულადი, აუცილებელი და შემთხვევითი კატეგორიების დიალექტ. ერთიანობას.

სტატისტიკა არ იფარგლება მარტო ს. ს-ით და მას ავსებს *ვარიაციული სტატისტიკის* მაჩვენებლები, რაც დიალექტ. მთლიანობაში განსაზღვრავს შესწავლილი სიდიდის რეალურ, ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

ტ. სართანია.

საშუალო სპეციალური განათლება, პროფესიული განათლების ერთ-ერთი ფორმა, რ-ის მიზანია წარმოების პირველადი რგოლების ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების, ტექნიკოსების, ექთნების, კონცერტმაისტერებისა და სხვ. მომზადება. ზოგიერთი სპეციალობისათვის ს. ს. მ. პროფ. მომზადების უმაღლესი საფეხურია (ბალეტის, ცირკის მსახიობი და სხვ.). თუმცა საშ. სპეც. სასწავლებლები ჯერ კიდევ XVIII ს-ში გაჩნდა. ს. ს. მ., როგორც ზოგადი და პროფ. განათლების დამოუკიდებელი სახე, XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. სსრკ-სა და ბევრ სოციალ. ქვეყანაში იგი სახ. განათლების ორგ. ნაწილია.



საშხეფი აუზი. მეტალურგიული ქარხნის საშხეფი აუზი.

სსრკ-ში ს. ს. მ-ს ღებულობენ 450 სპეციალობით, რ-ებიც გაერთიანებულია დარგობრივ ჯგუფებში: გეოლ., სამთო, ენერგეტ., მეტალ., მანქანათსამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებლო, ელექტროტექ., რადიოტექ., სატყეო-ტექ., ქიმ., სამშენებლო, გეოდ. და კარტოგრაფიულ, ჰიდრომეტეოროლ., სას.-სამ., სატრანსპ., პოლიგრაფიულ, კვების პროდუქტების ტექნოლ., ფართო მოხმარების საგანთა ტექნოლ., სავაჭრო, საგეგმო-ეკონ., საფინანსო-სტატისტ., იურიდ., სამედ., ფიზკულტ., პედ., საბიბლიოთეკო, სამუსიკო, თეატრ., სამხატვრო. ს: ს. მ-ის განსაკუთრებული დარგია საშ. სამხ. განათლება.

ს. ს. მ-ის სისტემის სასწ. დაწესებულებათა ძირითადი ტიპებია *ტექნიკუმები* (სამრეწვ. სამშენებლო, სატრანსპ., კავშირგაბმულობის, სას.-სამ., ეკონ., ინდუსტრ.-პედ. და სხვ.) და სასწავლებლები (სამედ., სანაოსნო, პედ., სამუსიკო, სამხატვრო, ქორეოგრაფიული, თეატრ. და სხვ.).

სწავლების ვადა 8-წლიან სკოლადამთავრებულებისათვის 3—4 წელია, საშ. სკოლადამთავრებულებისათვის — 1—3 წელი.

უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტრო ყოველი სპეციალობისათვის ამტკიცებს სასწ. გეგმას, რ-ითაც გათვალისწინებულია 3 ციკლის (ზოგადსაგანმან., ზოგადტექ., სპეც.) დისციპლინების შესწავლა, რაც შეზამებულია სასწ. და საწარმოო პრაქტიკასთან.

საქართველოში ს. ს. მ-ს დიდი ხნის ისტორია აქვს. საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე 28 საშ. სპეც. სასწავლებელი (5000-მდე მოსწ.) იყო. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ბევრი ტექნიკუმი და საშ. სპეც. სასწავლებელი შეიქმნა (იხ. ტ. *საქართველოს სსრ,* თავი სახალხო განათლება).

კაპიტალ. ქვეყნებში არსებობს ს. ს. მ-ის სხვადასხვაგვარი სისტემა, რ-თა ჩარჩოებში, როგორც წესი, მოსწავლეებს არ ეძლევათ საერთო განათლება და ყურადღება გამახვილებულია პრაქტ. მომზადებაზე.

საშუალო ტალღები, რადიოტალღები, რ-თა სიგრძე $\lambda = 10^2 - 10^3$ *მ* (სიხშირე 3 *მგც*—300 *კჰც*). დღის საათებში ს. ტ. *იონოსფეროში* ძლიერ შთაინთქმება და ვრცელდება მხოლოდ როგორც დედამიწის მომვლები ზედაპირული ტალღები. ღამის საათებში ს. ტ. მრავალგზის აირეკლება იონოსფეროს *E*-შრიდან და დედამიწის ზედაპირიდან და *მოკლე ტალღების* მსგავსად დიდ მანძილზე ვრცელდება. ს ტ-ს იყენებენ რადიომაუწყებლობაში, რადიონავიგაციაში და სხვ.

საშუალო შუადღე, ცის სფეროს წარმოსახვითი წერტილის, ე. წ. *საშუალო მზის,* ზედა კულმინაციის მომენტი. შეესაბამება საშ. მზისიერი დროის 12 *სთ.* ეს მომენტი ჭეშმარიტი მზის ცენტრის ზედა კულმინაციის მომენტისაგან განსხვავდება დროის ინტერვალით, რ-საც *დროის სწორება* ჰქვია.

საშუალო ხელფასი, იხ. *ხელფასი.*

საშუალო ჰარმონიული, რიცხვი γ, რ-ის შებრუნებული ტოლია მოცემული $a_1, a_2, \ldots, a_n$ რიცხვების შებრუნებულების საშ. არითმეტიკულისა: $\gamma = n : (1/a_1 + 1/a_2 + \cdots + 1/a_n)$.

საშურლაიო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ზანის სოფსაბჭო), მდ. ცივის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 160 *მ,* ცხაკაიადან 14 *კმ.* ა. ჟდანოვის სახ. ზანის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ზანაში (2,5 *კმ*).

საშხეფი აუზი, 40—50 *მ*-მდე სიგანის ღია რეზერვუარი, რ-საც აქვს სადაწნეო მილსადენების სისტემა ცირკულაციური წყლის ტემპერატურის დასაწევად მისი ჰაერში გაშხეფის მეშვეობით; იყენებენ სამაცივრო დანადგარებში, აგრეთვე ისეთ სამრეწვ. საწარმოთა წყალმომარაგების საბრუნ სისტემებში, რ-ებშიც მუშაობს თბომაღური დანადგარები, კომპრესორები, ტრანსფორმატორები და სხვ. წყლის გაცივების ხარისხი დამოკიდებულია ჰაერის ტემპ-რასა და ტენიანობაზე, ქარის ძალასა და მიმართულებაზე და ა. შ. გაშხეფადი წყლის ხარჯი ს. ა-ის 1 M^2 ფართობზე შეადგენს 0,8—1,3 M^3/*სთ*-ს. გაშხეფისას 1% წყლის აორთქლება მის ტემპ-რას დაახლ. 3—6°C-ით ამცირებს.

საჩალე, სოფელი ახმეტის რ-ნში (ახმეტის საქალაქო საბჭო). ზღვა ალაზნის სარწყავი სისტემის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 520 *მ,* ახმეტიდან 3 *კმ.* ახმეტის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ახმეტაში.

საჩალისთბთა, მთა გუდამაყრის ქედზე. სიმაღლე 2910 *მ.* აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები ძლიერ დანაწევრებულია. ქედა ნაწილი შემოსილია სუბალპ. ბალახეულით, ზედაში აქა-იქ ალპ. მდელოებია.

ს. ნემანიშვილი.

საჩალისჯალა, სოფელი დუშეთის რ-ნში (გუდამაყრის სოფსაბჭო), მდ. ბაკურხევის (გუდამაყრის არაგვის მარცხ. შენაკადი). ნაპირებზე. ზ. დ. 1900 *მ,* დუშეთიდან 70 *კმ.* ვ. ი. ლენინის სახ. გუდამაყრის კოლ-ბა (მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა, საშ. სკოლა სოფ. კიტოხში (10 *კმ*). ბ-კა.

საჩანასახე ზღა, იმ თანამიმდევრული სტადიების ერთობლიობა, რ-თაც გაივლის *განმეტები* ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში მათი პირველი გამოვლინებიდან სრულ ჩამოყალიბებამდე. ემბრიონული განვითარების პროცესში განმეტების წარმომქმნელი უჯრედები (პირველადი გონოციტები) დანარჩენი (სომატური) უჯრედებისაგან ვამოცალკევებიან სხვადასხვა დროს, მაგრამ—უმეტესად—ძალიან ადრე, უკვე დანაწევრებისას, გასტრულაციის, ნეირულაციისა და ადრეული ორგანოგენეზის დროს. უფრო მეტიც, ზოგჯერ პირველადი გონოციტების მასალა მკვლავნდება უკვე *ზიგოტის* ციტოპლაზმის სპეციალური უბნის სახით; ამიტომაც გამეტების განვითარების მთელი პროცესი საკმაოდ თვალსაჩინოდ გამოირჩევა ორგანიზმის ფორმირების დროს და თითქოსდაცალკე ს. მ-ს შეადგენს. ს. მ-ის ერთგვარი გამოცალკევება ორგანიზმის დანარჩენი ნაწილების განვითარებისაგან უნდა განვიხილოთ როგორც პირველადი სასქესო უჯრედების ადრეული სპეციალიზაციის პროცესი, ე. ი. უჯრედების დიფერენციაციის კერძო გამოვლინება, რაც არ იძლევა სასქესო და სომატური უჯრედების მკვეთრი დაპირისპირების საფუძველს, როგორც ეს მიაჩნდა ა. ვაისმანს, რ-მაც ს. მ-ის ცნება შემოიღო თავისი „საჩანასახე პლაზმის უწყვეტობის თეორიის" შექმნისას.

ლ. ნათაძე.

საჩანასახე დისკო, ბლასტოდისკო, ცხოველების ემბრიონული განვითარების ერთ-ერთი სტადია. შეესაბამება ბლასტულის სტადიას (დისკობლასტულა) არსებითად ბუჩუმწოვრების საჩანასახე ფარიც იგივე ს. დ-ა.

საჩანასახე პარკი, მდედრობითი გამეტოფიტი, ფარულთესლოვან მცენარეთა სქესიანი თაობა. ვითარდება თესლკვირტის ცენტრში, სადაც მაკროსპორის დედა უჯრედის მეიოზური გაყოფის შედეგად წარმოიქმნება 4 ჰაპლოიდური უჯრედი (მაკროსპორების ტეტრადა). მათგან ერთი ვითარდება, დანარჩენი კი იღუპება. ს. პ-ის განვითარებისას ხდება მისი ბირთვების 3 თანამიმდევრული მიტოზური გაყოფა, მათი რაოდენობა იზრდება 1:2:4:8 შეფარდებით და თანაბრად ნაწილდება ს. პ-ის ბოლოებზე. მე-3 მიტოზური გაყოფის შემდეგ ერთ ბოლოზე (მიკროპილარულზე) აღმოჩნდება საკვერცხე აპარატის 3 უჯრედი — კვერცხუჯრედი და ორი სინერგიდითურთ, ხოლო მეორე ბოლოზე (ქალაძურზე) — 2 უჯრედი-ანტიპოდი; ცენტრში განლაგდება ე. წ. ცენ

ტრალური უჯრედი, რ-იც 2 პოლარული ბირთვის შეერთებით წარმოიქმნება. მომწიფებულ ს. პ-ში ხდება *ორმაგი განაყოფიერება*, რის შედეგადაც ვითარდება *ჩანასახი* და *ენდოსპერმი*.

საჩანასახე ფურცლები, ჩანასახოვანი ფურცლები, ადამიანისა და ცხოველების ჩანასახის შემადგენელი ნაწილები *გასტრულის* სტადიაზე. ს. ფ. წარმოიქმნება *გასტრულაციის* პროცესში *ბლასტულის* უჯრედების გადაადგილებით, რ-თა ერთი ნაწილი შიგნით მოექცევა (*ენტოდერმა* ანუ ენტობლასტი), მეორე კი — გარეთ (*ექტოდერმა* ანუ ექტობლასტი) და, ამრიგად, ჩანასახი უკვე ორნაირი მასალისაგან შემდგარი აღმოჩნდება, მეტ-ნაკლებად გვიან ენტოდერმის (ზოგჯერ — ექტოდერმის) უჯრედების ნაწილი ამა თუ იმ ხერხით შესახლდება ენტოდერმასა და ექტოდერმას შორის და ვითარდება *მეზოდერმა* ანუ მეზობლასტი. რამდენადაც ექტოდერმა, ენტოდერმა და მეზოდერმა დასაბამს აძლევს ჩანასახის ყველა ნაწილს და თანაც უმეტესად შრეებად განლაგებული უჯრედებისაგან შედგება, მათ, შესაბამისად, ეწოდება გარეთა, შიგნითა და შუა ს. ფ. რადგანაც თითოეული ს. ფ-იდან შემდეგ ორგანიზმის სრულიად გარკვეული ნაწილები ვითარდება (იხ. *ორგანოგენეზი*, *პისტოგენეზი*), მათი წარმოქმნა დიფერენცირების პირველი უმნიშვნელოვანესი პროცესია ონტოგენეზში (თუმცა ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ს. ფ-ის მასალა უკვე ბლასტულაშია გარკვეული კანონზომიერებით განაწილებული და რომ, მეორე მხრივ, თვით ს. ფ-ს ამა თუ იმ ზემოქმედებით შეიძლება შევუცვალოთ მომავალი განვითარება), ს. ფ-ის წარმოქმნა, როგორც ყველა ცხოველის ონტოგენეზის აუცილებელი პროცესი (ზოგ ცხოველს ს. ფ-ის წარმოქმნა თითქმის მთლიანად დაჩრდილული აქვს), ცხოველთა სამყაროს ერთიანობის მნიშვნელოვანი საბუთია, რ-მაც დიდი როლი ითამაშა ევოლუციური მოძღვრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ს. ფ-ის შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით კ. *ვოლფს*, ხ. *პანდერს*, კ. *ბერს* და შემდეგ ა. *პეკელს*, ა. *კოვალევსკის*, ი. *მეჩნიკოვს*. *ლ. ნათაძე.*

საჩარხალია, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში (ფოქვეშის სოფსაბჭო), აფხაზეთის ბორცეიან მთისწინეთზე. ზ. დ. 280 *მ*. ოჩამჩირიდან 29 *კმ*. გუფიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. ფოქვეშის კოლ-ბა (მეჩაიეობა). საშ. სკოლა სოფ. ფოქვეშში (8 *კმ*).

საჩარხე, აბჯრის შემადგენელი ნაწილი, მუხლებზე ჩასაცმელი ჯავშანი. მზადდებოდა ორგვარად: 1. მცირე რგოლებით ასხმული, პაჭიჭასებური ს., რ-საც ფეხზე ჩამოიცვამდნენ. 2. მთლიანი ლითონისაგან დამზადებული წვივზე მორგებული საფარველი, რ-საც მხედარი თასმებით იმაგრებდა. *კ. ჩოლოყაშვილი.*

საჩარჩელა სოკოები (Clavariaceae), ბაზიდიუმიანი სოკოების ოჯახი. მათი ნაყოფსხეული ხორცოვანი, მარჯნისებრ დატოტვილი, იშვიათად ქინძისთავისებრი ან მახათისებრია, ფერად — მეტწილად მოთეთრო ან მოყვითალო, დაფარულია სპორებიანი შრით. სპორები გლუვია, უფერული ან ღია ყვითელი. ოჯახში თავმოყრილია 25-მდე გვარის 500-მდე სახეობა (სსრკ-ში 80). იზრდებიან რყეში მიწაზე, ან იშვიათად დამპალ მერქანზე. ზოგიერთი მათგანი საჭმელი სოკოა. Typhula-ს გვარის სახეობები სას.-სამ. მცენარეებს აავადებენ, Sparissis გვარისა — ხის ფესვის სიდამპლეს იწვევენ. *ი. ნახუცრიშვილი.*

საჩარჩელი, საქსოვი ხელსაწყო. მისი ძირითადი სამუშაო ნაწილია ერთ- ან ორიგად განლაგებული ლითონის „კბილები" (ჩხირები), რ-ებიც ფიცრის სამკუთხა ფუძეშია ჩასმული. ჩეჩვის პროცესში ს-ს ძირს დგამენ და ფეხებით ამაგრებენ. ერთრიგად განლაგებულ ანუ „ცალკბილა" ს-ს თითთიკის დასამუშავებლად იყენებენ. გარეცხილ, გაწეწილ მატყლს ს-ის კბილებზე ჩეჩავენ (ბეწვი ბუდდება და ერთი მიმართულებით ლაგდება) და ფთილებად ამზადებენ, შემდეგ მას თითისტარით ართავენ და ძახავენ.

მატყლის ქსოვილების დასამზადებლად ს-ს საქსოვ დაზგებთან ერთად ძველთაგანვე იყენებდნენ; მაგ., მატყლის ქსოვილის უძველესი ფრაგმენტი (ანატოლია) ძვ. წ. VII ათასწლეულით თარიღდება. *ლიტ.: ყარაულაშვილი ც.*, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ.: მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972; *მისივე*, ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, კრ.: ქსნის ხეობა, თბ., 1975; *მისივე*, ქსოვილების დამზადების ხალხური წესები კახეთში (მატყლის ქსოვილები), ს-ს ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, 1979, ტ. 34 B *ც. ყარაულაშვილი.*

საჩეჩი მანქანა, ბოჭკოვანი მასალის საჩეჩი მანქანა; იყენებენ საფეიქრო წარმოებაში. ჩეჩვის დანიშნულებაა ბოჭკოვანი მასალის (ბამბა, მატყლი, ქიმ. ბოჭკოები და სხვ.) ცალკეულ ბოჭკოებად დაყოფა, მათი გასწორება და შერევა, მინარევებისა და მოკლე ბოჭკოების მოცილება და გაბუებული ბოჭკოვანი მასისაგან უწყვეტი პროდუქტის (ფთილის ან ლენტის) მიღება. განასხვავებენ კარდულ და სავარცხლურ ს. მ-ებს. კარდულ ს. მ-ებში ბოჭკოებს ატარებენ ნემსებიანი ან დაკბილული ლენტით დაფარულ მუშა ორგანოებს შორის.

დასამუშ. მასალისა და წარმოების სახეობის მიხედვით იყენებენ ქუდიან (ბამბისა და მოკლე ქიმ. ბოჭკოებისათვის) და სალილვე (მატყლის, ლაფნის ბოჭკოებისა და გრძელი ქიმ. ბოჭკოებისათვის) კარდულ ს. მ-ებს.

ქუდიანი ს. მ-ის (ნახ.) ძირითადი მუშა ორგანოებია მიმღები, მთავარი, სახსნელი დოლები და ქუდები — ნემსებიანი ლენტის ვიწრო ფირფიტები. მთავარ დოლსა და ქუდებს შორის მიმდინარეობს ჩეჩვის ძირითადი პროცესი. უმაქოო რთვისათვის განკუთვნილი ლენტის მისაღებად იყენებენ 2 მთავარდოლიან ს. მ-ს.

სალილვე ს. მ-ის ძირითადი მუშა ორგანოებია მიმღები დოლი, მთავარი დოლი, მორბედი და სახსნელი დოლი. მიმღები დოლი ბოჭკოვან მასალას ამზადებს სავარცხნად. სწრაფად მოძრავ მორბედს კი მთავარი დოლის ზედაპირზე ამოაქვს ბოჭკოები, რ-ებიც შემდეგ სახსნელ დოლზე სქელ შრედ განლაგდებიან. ნაჩეჩს სახსნელი დოლიდან ხსნის სავარცხელი.

პერიოდული მოქმედების სავარცხლურ ს. მ-ში გირაგით ჩაჭერილი ბოჭკოების კონა თანამიმდევრულად იჩეჩება მრგვალი მბრუნავი სავარცხლის ნემსების რამდენიმე მწკრივით. უწყვეტი მოქმედების ს. მ-ებს ძირითადად უხეში მატყლის **საჩეჩად** იყენებენ.

საჩივარი, მოქალაქის კონსტიტუციური უფლება — მიმართოს სახელმწიფო ორგანოს, საზ ორგანიზაციას, თანამდებობის პირს პირადი ან სხვისი კანონით დაცული ინტერესების ან უფლებების დარღვევისა და შეზღუდვის შემთხვევაში (სსრკ კონსტ., მ. 58). მოქალაქეთა ს-ების სწორი და დროული განხილვა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სოციალ. კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში; იგი უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას და შელახული ინტერესების აღდგენას; სახელმწ. ორგანოების, საზ. ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. მოქალაქეთა ს-ების მიღება-გადაწყვეტის წესს ადგენს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წ. 12 აპრილის ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ" (მოქმედებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წ. 4 მარტის ბრძანებულების რედაქციით. სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1980 № 27, მ. 540). ს. უნდა გადაწყვიტოს იმ ორგანომ და თანამდებობის პირმა, ვისაც ექვემდებარება პირი, რ-ის მოქმედებაც გასაჩივრებულია. ს. ყველა ორგანოში უნდა გადაწყდეს 1 თვემდე ვადაში, ხოლო თუ იგი არ მოითხოვს დამატებით შემოწმებას და შესწავლას — 15 დღის განმავლობაში. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებში ს-ების განხილვა-გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს საქ. სსრ სისხლის და სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდექსები.

ყველა შემთხვევაში ს-ის განხილვის შედეგები უნდა აცნობონ მომჩივანს. თანამდებობის პირი, რ-ის კომპეტენციაშიც არ შედის ს-ების გადაწყვეტა, ვალდებულია 5 დღის ვადაში გადაუგზავნოს ს. შესაბამის ორგანიზაციას და ამის შესახებ დუყოვნებლივ აცნობოს მომჩივანს. ს-ების განხილვა-გადაწყვეტის დადგენილი წესის დარღვევისათვის, გაჭიანურებისათვის, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის თანამდებობის პირს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, მძიმე დარღვევისათვის კი შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართ. პასუხისმგებლობაც თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით. *ა. ფალიაშვილი.*

საჩინო, ისტორიული მხარე იმერეთში. მოიცავდა მდ-ების ყუმურისა და სულორის ხეობებს. აღმ-ით ესაზღვრებოდა მდ. კვისისწყალი, დას-ით — საჯავახოს მთები. ს. იყოფოდა ზემო საჩინოდ და ქვემო საჩინოდ. ს-ს სხვადასხვა დროს ფლობდნენ ჯერ ქვაბულისძეთა, შემდეგ ჩიჯავაძეთა ფეოდ. საგვარეულოები.


წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

საჩინო, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში (რეკის სოფსაბჭო), სამურზაყანოს დაბლობის გორაკ-ბორცეიან ჩრდ.-დას. ზოლში. ზ. დ. 200 *მ*, ოჩამჩირიდან 22 *კმ*. აგუბედიის ტუნგის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ფოქვეშში (1,5 *კმ*).

საჩინო, სოფელი წალენჯიხის რ-ნში, მდ. ინგრის (ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., კუხეში, ნაგურუ). ზ. დ. 240 *მ*, წალენჯიხიდან 8 *კმ*, ჯვრისდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ*. 2 კოლ-ბა „კომუნიზმი" და ა. ჟდანოვის სახ. (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). დაწყ., რვაწლ., საშ. და საღამოს (ცვლიანი) სკოლები, 2 საბავშვო ბაღი, კულტსახლი (კინოდანადგარი), კლუბი, 2 ბ-კა, პოლიკლინიკა, 4 საფერშ-



საჩეჩელა სოკოები. ყვითელი რამარია (Ramaria flava). ნაყოფსხეული.



საჩეჩი მანქანა. ქუდიანი საჩეჩი მანქანის სქემა: 1—ტოლო; 2—მიმღები დოლი; 3—მთავარი დოლი; 4—სახსნელი დოლი; 5—სახსნელი სავარცხელი; 6 — ლენტის ჩასადები მენჯი; 7—ლენტი; 8—ანაჩეჩი; 9—ქუდები.

ლო-სამეანო პუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

საჩიქობავო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ძველი სენაკის სოფსაბჭო), ეკის მთის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 220 *მ*, ცხაკაიადან 5 *კმ*. ძველი სენაკის მელორეობის სანაშენე საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ძველ სენაკში (2 *კმ*).

საჩიქვი იარაღები, ნამზადზე კაწრულების, ღრმულების (წერტილების) დასაჩნევი, სიგრძის გასაზომი, მონაკვეთების, კუთხეების, წრეხაზების დასაყოფი და სხვა დანიშნულების იარაღები: საკაწრელა (ნახ. ა), საწერტელი (ნახ. ბ) ნაწრთობი თავითა და წვეტითურთ, მოსანიშნი ჩაქუჩი, ფარგლები (ნახ. გ), კუთხედი, კუთხე-საზომი (ნახ. დ), თარგული, შტანგენფარგალი (სწორი ხაზების ზუსტად დასაყოფად და დიდი დიამეტრის წრეხაზებზე ცენტრების დასატანად), საკაწრისი" (ნახ. ე), მიკრომეტრული ხრახნიანი საკაწრისი და შტანგენრაისმუსი (ნახ. ვ). ხმარობენ მრგვალი, ცილინდრული დეტალების ცენტრის მოსაძებნად ან საცენტრე ღრმულების დასაჩნევად.

საჩხერე, ქალაქი (1964-იდან) დას. საქართველოში, საჩხერის რ-ნის ადმ. ცენტრი. მდებარეობს მდ. ყვირილის ნაპირებზე, საჩხერის ქვაბულის ჩრდ.-დას. ნაწილში. ქალაქის ძირითადი ნაწილი განაშენიანებულია მდინარის მარჯვ. ნაპირის სუსტად დახრილ, ტალღოვან ფერდობზე. ზ. დ. 500—550 *მ*, თბილისიდან 232 *კმ* (რკინიგზით). ზესტაფონ — საჩხერის სარკინიგზო ხაზის ბოლო პუნქტი. ს-ში ზღვის სუბტროპ. ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რაა 11,7°C, იანვ. 0,4°C, ივლ. 20°C; აბსოლ. მინ. —28°C, აბსოლ. მაქს. 37°C. ნალექები 900 *მმ* წელიწადში.

ისტ. წყაროებში პირველად XVII ს-ში იხსენიება. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ს. დაწინაურებული სავაჭრო პუნქტი იყო.

ს-ში არის კვების და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები (ღვინისა და საკონსერვო ქ-ნები, ბამბის სართავი ფ-კა). ადგილ. მრეწვ., სატყეო მეურნ. და საყოფაცხოვრებო მომსახურების წვრილი საწარმოები ამზადებენ ფართო მოხმარების საგნებს. ქალაქში არის 3 ზოგადსაგანმან. სკოლა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, პროფტექ. სასწავლებელი, კულტსახლი, 2 ბ-კა, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ს-ის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილია განვითარებული შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები — მოდინახეს ციხე და ციხის ეკლესია, ჯვრუჭის მონასტრის ეკლესია (გადაკეთებულია XIX ს-ში), გვიანდ. შუა საუკ. სხვა სამონასტრო ნაგებობანი. *ე. ჯაოშვილი, თ. ბერაძე.*

საჩხერის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები ქ. საჩხერის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში. XIX ს. 70-იან წლებში შემთხვევით აღმოჩენებს ყურადღება მიაქცია დ. წერეთელმა (ა. წერეთლის ძმა). არქეოლ. კვლევა ჩატარდა 1910 (ე. თაყაიშვილი), 1939, 1945—46 (ბ. კუფტინი), 1955 (ო. ჯაფარიძე), 1957 (ნ. ღამბაშიძე), 1966—68 (ჯ. ნადირაძე). შესწავლილია ძვ. წ. III ათასწლ. ძეგლები ადგილ *ნაჩერქეზევში*, ცარცის გორაზე და სოფ. ქორეთში. აღმოჩენილია ძვ. წ. III ათასწლ. კულტურისათვის დამახასიათებელი ვარდისფერსარჩულიანი თიხის ნაწარმი, ბრინჯაოს მრავალფეროვანი იარაღ-საჭურველი და სამკაული. აღსანიშნავია, რომ ცარცის გორაზე აღმოჩნდა თქროს ნივთი, რაც იშვიათი მოვლენაა ადრინდ. ბრინჯაოს ხანისათვის. საჩხერის ჩრდ-ით გათხარეს *მოდინახეს ციხე*, რ-ის სამხრ. ფერდობზე გამოვლინდა სხვადასხვა ხანის ნამოსახლარები. მნიშვნელოვანი აღმოჩენებია სოფ. *საირხეში*. სხვადასხვა დროის არქეოლ. ძეგლები მიკვლეულია საჩხერის მიდამოებში: დუნთაში და ადგილ ჟალიეთში — გვიანდ. ბრინჯაოს ხანის განძები; სოფ. ჩიხაში — ადრინდ. ანტ. ხანის ნამოსახლარი; გორაძირში — წინა ანტ. და ადრინდ. ანტ. ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი; სოფლებში ჯალაურთასა და კორბოულში ელინისტური ხანის სამარხები; სოფ. პერევში — გვიანდ. ბრინჯაოს ხანის განძი და ადრინდ. ფეოდ. ხანის რკინის საწარმოო უბნები; სოფ. კალვათაში — რკინის ხანის სამეურნეო იარაღი; სოფ. არგვეთში—ადრინდ. ანტ. ხანის ნამოსახლარი. აღმოჩენები ადასტურებენ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულიდან საჩხერის „ქვეყანა" მჭიდროდ იყო დასახლებული და კულტ.-ეკონ. კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან.

ლიტ.: ნადირაძე ჯ., ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975; ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961; Куфтин Б. А., Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949; Месхия, Археологические раскопки в Триалети, [кн.] 1, Тб., 1941.

ჯ. ნადირაძე.

საჩხერის რაიონი, ადმ.-ტერ. რ-ნი დას. საქართველოში, მდ-ების ყვირილისა და ძირულის ზემო და შუა დინებების აუზებში. 1917-მდე ახლანდ. ს. რ-ის ტერიტ. ქუთაისის გუბ. შორაპნის მაზრაში შედიოდა, 1917—28 — ისევ შორაპნის მაზრაში, 1929-იდან 1930 ოქტ-მდე — ქუთ. ოლქში, 1930 ოქტ-იდან — ჭიათურის რ-ნში, 1939-იდან გამოეყო ჭიათურის რ-ნს. ს. რ-ს ჩრდ-ით ესაზღვრება ონისა და ამბროლაურის, აღმ-ით — ჯავისა და ზნაურის, სამხრ-ით — ხაშურისა და თრჯონიკიძის რ-ნები, დას-ით — ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტ. ფართ. 768,5 *კმ*². რაიცენტრი — ქ. საჩხერე. ს. რ-ში შედის 1 საქალაქო (საჩხერე), 12 სასოფლო საბჭო (არგვეთი, გორისა, კორბოული, მერჯევი, საირხე, სარეკი, ქორეთი, ჩიხა, ცხომარეთი, ჭალა, ჭალოვანი, ჯალაურთა); 1 ქალაქი და 45 სოფელი.


ბუნება. რელიეფი. ს. რ-ის რელიეფი სამ. და დაბალმთიანია. რ-ნის ჩრდ. ნაწილი განლაგებულია რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, სამხრ. და სამხრ.-აღმ.— იმერეთის მაღლობზე. რაჭის ქედის კალთა ძირითადად აგებულია შუაიურული პორფირიტული ქანებით და იურული კირქვებით, რ-ის გავრცელების ზოლში განვითარებულია რელიეფის კარსტული ფორმები, კანიონისებრი ხეობები, ფლატეები, ქედი ძლიერ დანაწევრებულია. მთავარი წყალგამყოფის სამხრ-ით გაწოლილია ურთიერთპარალელური გასწვრივი ქედები—პპელეთი, საშვი, ორღულ-ბაჯითი და სხვ., რ-ებიც ერთიმეორისაგან გამოყოფილია სინკლინური ხეობებით. ცალკეული მწვერვალების სიმაღლე 2400 *მ*-ს აღემატება. მდ-ებს გამომუშავებული აქვთ ღრმა გამკვეთი ერთზიული ხეობები. რაჭის ქედის საჩხერის მონაკვეთზეა შქმერის ულელტეხილი. იმერეთის მაღლობის ფარგლებში ჭარბობს ვაკე რელიეფი. გეოლოგიურად შეესატყვისება ძირულის კრისტ. მასივს, რ-ის სამხრ. კალთებზე ფართოდაა გავრცელებული ცარცული ასაკის კრისტ. ქანები. მაღლობის ფარგლებში გამოიყოფა ორი განსხვავებული ნაწილი. ერთი უფრო ვრცელი კორბოულის ბორცვიანი ვაკეა, რ-ის სიმაღლეა 500—800 *მ*. იგი აგებულია მიოპლიოცენური თიხქვიშის დაუნაოჭებელი ნალექი ქანებით. ვაკე სუსტად დახრილია და დანაწევრებულია ღრმა ეროზიული ხეობებით. კირქვულ ქანებში ჩამოყალიბებულია კარსტული რელიეფის ფორმები, არის ეულკ. ფორმებიც (გორაძირის მთის ორი ლაკოლითური ბორცვი). მაღლობის მეორე, სამხრ.-აღმ. ნაწილმა ზედა მესამეულში განიცადა აზევება, ნალექი ქანები გადაირეცხა, წარმოიშვა დენუდაციური ზეგანი ფართოდ გაშიშვლებული უძველესი კრისტ. ქანებით. მის მაქს. აზევებას შეესატყვისება ლიხის ქედი, რ-ის დამახასიათებელია საფეხურებად განლაგებული მოსწორებული ზედაპირები და ღრმა ეროზიული დანაწევრება. ლიხის ქედზეა ჯვრის ულელტეხილი. მდ. ყვირილის ორივე მხარეს მდებარეობს საჩხერის ქვაბული ფართო ვაკე ძირით, რ-იც ალუვიონითაა დაფენილი. რ-ნის წიაღისეულიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კვერეთის გოგირდოვანი წყლები, რ-ის ბაზაზე მუშაობს კურ. კვერეთი, არის აგრეთვე კვარცის სილები.

ჰავა. ს. რ. ნოტიო სუბტროპ. კლიმატის ოლქის აღმ. პერიფერიაზე მდებარეობს, დაბალ ნაწილში საშ. წლ. ტემპ-რა 10-იდან 11,7°C-მდეა (საჩხერე 11,7°C, კორბოული 10°C), იანვ. საშ. ტემპ-რა 0,4—0,3°C, ივლ. 20—22,5°C; აბსოლ. მინ. —28, —31°C. აბსოლ. მაქს. 37-იდან 41°C-მდე. მთებში ტემპ-რა სიმაღლის ზრდასთან ერთად კლებულობს. ნალექები 900—1480 *მმ* წელიწადში (საჩხერე — 900 *მმ*, კორბოული — 1480 *მმ*). ატმ. ნალექების მაქსიმუმი ზამთარში და შემოდგომაზეა, საშ. მთიან ზონაში ნალექების რაოდენობა 1500—1700 *მმ*-მდეა. აქ ნალექების მაქსიმუმი ზამთარშია, მინიმუმი — ზაფხულში. თოვლის მდგრადი საბურველის ხანგრძლივობა 30-იდან 100 დღემდეა.

შიგა წყლები. ჰიდროგრ. ქსელი ხშირია. მთავარი მდ-ებია ყვირილა და ძირულა. ს. რ-ს ეკუთვნის მდ. ყვირილის შუა მონაკვეთი. აქ რაჭის ქედიდან ჩამოედინება მისი მარჯვ. შენაკადები: ჯრუჭულა, ჩიხურა, ხახიეთისწყალი. მდინარეთა ქსელი შედარებით მეჩხერია კორბოულის ზეგანზე, რ-ის ზედაპირს კვეთენ მდ-ები დუმალა და სხვ. სამხრ.-აღმ. პერიფერიაზე მოედინება მდ. ძირულა. მდ-ები საზრდოობენ წვიმის, თოვლის და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა — ზაფხულში. რ-ნში ბევრი წყაროა, მ. შ. მინერალური.

ნიადაგები. ნიადაგების ძირითადი ტიპები იცვლება სიმაღლებრივი ზონების მიხედვით. ფართოდაა გავრცელებული სამ. და მცირე სისქის ტიპური ტყის ყომრალი და გაეწრებული ყომრალი ნიადაგები. რაჭის ქედის თხემურ ზოლში მთის მდელოს კორდიან-ტორფიანი ნიადაგებია; კორბოულის ზეგანზე, კირქვიანი სუბსტრატზე, ნეშომპალა-კარბონატული ხოლო საჩხერის ქვაბულის ძირზე ალუვიური ნიადაგებია.

მცენარეული საფარი. რ-ნში კარგადაა გამოხატული მცენარეულობის სიმაღლებრივი ზონალურობა. მთისწინეთსა და კორბოულის ზეგანზე 500—700 *მ*-მდე გავრცელებულია მუხნარი და მუხნარ-ჯაგრცხილნარი, ტყეს ძირითადად წიფელი ქმნის; ამას გარდა გვხვდება ქართული მუხა, რცხილა, ჯაგრცხილა, იფანი, ნეკერჩხალი, თელა და სხვ. ქვეტყეში არის კუნელი, ზღმარტლი, იელი, თრიმლი და სხვ. დაბალმთის ზონაში, 800—1000 *მ*-მდე, გავრცელებულია შერეული ფართოფთლოვანი ტყეები. აქ იზრდება კოლხეთის მეზოფილური ტყის დამახასიათებელი ელემენტებიც: მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, მურყა-



საჩნევი იარაღები: ა—საკაწრელა (კაწრულების დასატანი) იარაღი; ბ—საწერტელი" (წინასწარ მონიშნულ ნახაზზე ღრმულების გასაკეთებელი); გ—ფარგალი (წრეხაზებისა და რკალების, მონაკვეთებისა და სხვადასხვა გეომეტრიული სხეულის დასაყოფი, წაზომი სახაზაიდან ნამზადზე ზომების გადასატანი); დ—კუთხესანიშნი (დახრილი ხაზების გადასატარებელი); ე—საკაწრისი (ხაზების გასატარებელი, მოსანიშნ ფილაზე დეტალის საზუსტის შესამოწმებელი); ვ — მიკრომეტრულხრახნიანი შტანგენრაისმუსი (ზუსტი მონიშნებისათვის განკუთვნილი იარაღი).

ნი. ქვეტყეს მეტწილად ქმნიან შქერი, წყავი, ბაძგი და სხვ. მთის ტყის შუა სარტყელი უკავია წიფლნარ-რცხილნარს. ტყეში ხარობს აგრეთვე ცაცხვი, თელა, ნეკერჩხალი და სხვ. ქვეტყეშია შქერი, წყავი, ბაძგი, მაღალი მოცვი, თხილი, იმერული ხეჭრელი და სხვ. რაჭის ქედის კალთაზე 1400—1500 *მ*-ს ზემოთ არის მხოლოდ წიფლნარი. ქედის თხემურ ზოლში გავრცელებულია სუბალპ. ტყე-მდელოს მცენარეულობა: სუბალპ. პარკული და ტანბრეცილი ტყეები და სუბალპ. ბუჩქნარი და მაღალბალახეული საფარი, პარკულ ტყეებში გაბატონებულია ნეკერჩხალი, ტანბრეცილ ტყეებში — არყი, ცირცელი და წიფელი. სუბალპ. ბუჩქნარებში გვხვდება დეკა, ღვია, მოცვი, მაღალბალახეულ საფარში— დიყი, დუცი, შროშანი, დეზურა და სხვ. სუბალპ. სარტყლის ზედა ზოლი უკავია დამკორდებელ მარცვლოვან მდელოებს. ალპ. მდელოს მცენარეულობა მხოლოდ დაღვერულის მთის კალთებზეა. აქ მდელოს ქმნის ბურბუშელა, ქარცხვი, მარმუჭი, კვლიავი, ბაია, ნაღველა, ქვატეხია, ძიგვა და სხვ.

ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა მ ყ ა რ ო. გავრცელებულია მთა-ტყისა და მთა-მდელოს ზონების ცხოველები. ტყის ბინადარი ჩლიქოსნებიდან გვხვდება შველი; მტაცებლებიდან — დათვი, მგელი, ტურა, მელა, ფოცხვერი; კვერნების ოჯახიდან — მაჩვი, ტყის კვერნა, თეთრყელა კვერნა და სხვ.; მღრღნელებიდან გავრცელებულია ტყის თაგვი, ვირთაგვა და სხვ.; კურდღლისებრთაგან — კურდღელი; მწერიჭამიებიდან — თხუნელა, ზღარბი და სხვ. ბეწვრია ფრინველი: კოდალა, ქორი, მიმინო, ყორანი, ყვავი, ჩიტბატონა, შოშია, შაშვი, გუგული, ჩხიკვი და სხვ. ქვეწარმავლებიდან არის მწვანე ხვლიკი, ზოლებიანი ხვლიკი, გველხოკერა, ჩვეულებრივი ანკარა, გველგესლა და სხვ. მდ-ებში იცის კალმახი, წვერა, ქაშაპი, გველთევზა, ღორჯო და სხვ. ტყისა და ალპ. ზონებში ბინადრობს არჩვი, დათვი, მგელი, მელა, თაგვი, მემინდვრია, შურთხი, როჭო, მთის ტოროლა, მთის არწივი და სხვ.

ძ ი რ ი თ ა დ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ ე ბ ი. გამოხატულია ლანდშაფტების შემდეგი სიმაღლებრივი ზონა: 1. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის ტყის ყომრალ და ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე განვითარებული მუხისა და მუხნარ-ჯაგრცხილის ტყეები; 2. დაბალმთიანეთის ტყის ყომრალ ნიადაგებზე ჩამოყალიბებული შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები (მარადმწვანე ქვეტყით); 3. დაბალმთიანეთის სუსტად დანაწევრებული სტრუქტურული პლატო, ტყის ყომრალი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებითა და ფართოფოთლოვანი ტყეებით; 4. ძლიერ დანაწევრებული საშუალომთიანეთის ტყის ყომრალ ნიადაგებზე განვითარებული წიფლნარ-რცხილნარი; 5. მთა-ტყის ყომრალ და გაეწრებულ ყომრალ ნიადაგებზე ჩამოყალიბებული წიფლნარი; 6. სუბალპ. მეჩხერი და ტანბრეცილი ტყეები ტყემდელოს ნიადაგებზე; 7. სუბალპ. მთა-მდელო, ტორფიან-კორდიანი ნიადაგებით, ბუჩქნარებითა და მაღალბალახეულობით; 8. ალპ. მთა-მდელოს კორდიან-ტორფიან და პრიმიტიულ ნიადაგებზე განვითარებული ალპ. მდელოები და ბუჩქნარები.

მოსახლეობა. დასახლებული პუნქტების უმეტესი ნაწილი საჩხერის ქვაბულსა და იმერეთის მაღლობზეა. განსახლების ვერტიკალური ზონა ვრცელდება ზ. დ. 400—1200 *მ* ფარგლებში. სოფლად ცხოვრობს რ-ნის მთელი მოსახლ. 85%. უმეტესობა ქართველებია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე ოსები, რუსები, სომხები და ებრაელები. საშ. სიმჭიდროვე 1 *კმ²*-ზე 50 კაცია.

სახალხო მეურნეობა. ს ო ფ. მ ე ურ ნ. ვერტიკალური დარგებია მევენახეობა, მარცვლეულის მეურნეობა და მეცხოველეობა, მნიშვნელოვანია აგრეთვე მეხილეობა და მებოსტნეობა. რ-ნის მთელი ფართ. 70,5% ტყე და ბუჩქნარია, სავარგულებს უჭირავს 15,4 ათ. *ჰა* (რ-ნის მთელი ფართ. 22%), აქედან სახნავ-სათესია 6 ათ. *ჰა*, სათიბ-საძოვარი — 7,3 ათ. *ჰა*, მრავალწლოვან ნარგავებს უკავია 2,2 ათ. *ჰა*. სარწყავი ფართ. შეადგენს 0,5 ათ. *ჰა*-ს (ირწყვის მდ. ყვირილიდან გაყვანილი არხით).

ნათესი ფართ. მეურნ. ყველა კატეგორიაში არის 7,1 ათ. *ჰა*, აქედან მარცვლეულს უკავია 3,4 ათ. *ჰა* (მ. შ. სიმინდს — 2,7 ათ. *ჰა*, ხორბალს — 1,5 ათ. *ჰა*), საკვებ კულტურებს 2,4 ათ. *ჰა*. მრავალწლოვანი ნარგავებიდან საზ. მეურნეობებში ვენახს უჭირავს 1,2 ათ. *ჰა* (ძირითადი ჯიშებია ციცქა და ცოლიკაური), ხეხილს — 647 *ჰა* (გავრცელებულია ქლიავი, ტყემალი, მსხალი, ვაშლი).

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცხოველეობას, განსაკუთრებით — მსხვ. რქ. საქონლის მოშენებას. პირუტყვის სულადობა მეურნ. ყველა კატეგორიაში (1983): მსხვ. რქ. საქონელი — 23,3 ათ. (მ. შ. ფური—7,6 ათ.), ღორი—11,6 ათ., ცხვარი და თხა—3 ათ. რ-ნში არის მეფრინველეობის ფ-კა, რ-იც ქათმის ხორცით ამარაგებს ქ-ებს საჩხერესა და ჭიათურას.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ძირითადად ემყარება ადგილ. მინერ. და სას.-სამ. ნედლეულს. მნიშვნელოვანია ხე-ტყის დამზადება, ჯვარცის სილის მოპოვება (ჭიათურის მადნედრებელ ფ-კაში გადამუშავების შემდეგ ეგზავნება რესპ. რკინაბეტონის ქ-ნებს და სამშენებლო ობიექტებს). სატყეო მეურნ. აწარმოებს სამასალე მერქანს და შეშას, ამზადებს სხვადასხვა სახის ხის ინვენტარს. რ-ნში წამყვანია კვების მრეწველობა. 1939-იდან მუშაობს ღვინის ქ-ნა (ამზადებს შამპანური ღვინოების მასალას და საკონიაკე სპირტს, რ-იც იგზავნება თბილ. შამპანური ღვინოებისა და კონიაკის ქ-ნებში); 1984-იდან მწყობრში ჩადგა ბამბის სართავი ფ-კა. არის აგრეთვე საკონსერვო ქ-ნა (წლ. სიმძლავრე 7 მლნ. პირობითი ქილა), ამზადებს ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებსა და წვენებს. აღგილ. მრეწვ. წვრილი საწარმოები ამზადებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი და კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ა. რ-ნის ცენტრი საჩხერე რკინიგზის განტოტების (ზესტაფონ—საჩხერის) ბოლო პუნქტია. რ-ნის ტერიტორიაზე გადის რესპ. მნიშვნელოვანი გომი—საჩხერე—ჭიათურა—ზესტაფონის საავტ. გზა. რესპ. და ადგილ. მნიშვნელობის გზებით საჩხერე უკავშირდება მეზობელ ქალაქებსა და რ-ნის სოფლებს. ადგილ. მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძეა 160 *კმ*. რაიცენტრს სატელეფონო კავშირი აქვს ყველა დასახლებულ პუნქტთან.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. რ-ნში 49 ზოგადსაგანმან. სკოლაა, მ. შ. 20 საშ. და 1 საღამოს (ცვლიანი) სკოლა (8,3 ათ. მოსწავლე, 0,8 ათ. მასწავლებელი). საჩხერეში არის სამუსიკო სკოლა, პროფტექ. სასწავლებელი. რ-ნში 29 საკლუბო დაწესებულება და 56 ბ-კაა. სოფ. სხვიტორში გახსნილია ა. წერეთლის სახლ-მუზეუმი. ქ. საჩხერეში—მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. გამოდის რ-ნული გაზ. „ახალი ცხოვრება".

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 3 საავადმყოფო (335 საწოლი), 8 ამბულ.-პოლიკლინიკა, 3 საფერშლო და საფერშლო-სამეანო პუნქტი. საჩხერიდან 7 *კმ*-ზე, მდ. ჩიხურის ტყიან ხეობაში, მდებარეობს ბალნეოლ.-კლიმ. კურ. კვერეთი (არის პანსიონატი), რ-იც ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელს ემსახურება.

ბ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს ძ ე გ ლ ე ბ ი ა: *სავანის, სპეთის, ქორეთის, ეწვევის* ეკლესიები, *ჯრუჭის მონასტერი*, მოდინახეს ციხე და ციხის ეკლესია და სხვ.

გ. მარგველანი. ე. ჯაოშვილი.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 528—529.





საჩხეური, სოფელი წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (დღნორისის სოფსაბჭო), მდ. ლეხიდრის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 550 *მ*, წყალტუბოდან 70 *კმ*. კოლ-ბა „წინსვლა" (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი.

საცალო ვაჭრობა, *საშინაო ვაჭრობის* შემადგენელი ნაწილი, პირადი მოხმარების საგნების მიმოქცევის დასკვნითი ფაზა, რ-ის მეშვეობით საქონელი და ზოგიერთი სახის მომსახურება იცვლება მოსახლეობის ფულად შემოსავალზე. ს ო ც ი ა ლ. ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი შ ი ს. 3. ხელს უწყობს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას სათანადო ასორტიმენტის და ხარისხის სასურსათო და არასასურსათო საქონელზე, მშრომელთა მიერ არასამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას.

სსრკ-ში ს. ვ-ის ძირითადი ფორმებია სახელმწ. და კოოპ. ვაჭრობა. ს. ვ-ის სისტემაში შედის აგრეთვე *საკოლმეურნეო ვაჭრობა*.

საწარმოთა საერთო რაოდენობამ სსრკ სახელმწ. და კოოპ. ვაჭრობის საცალო ქსელში 1982 დასაწყისისათვის 696,2 ათ. ერთეული შეადგინა (რაც 1,7-ჯერ აღემატება 1940 სათანადო მაჩვენებელს), მაღაზიების სავაჭრო ფართობმა კი 47,3 მლნ. *მ²*-ს გადააჭარბა. 1979 ს. ვ-ში დასაქმებულთა საშ. წლ. რიცხვი 4,8 მლნ. კაცს აღემატებოდა. 1982 წ. 1 იანვ-თვის სსრკ ყოველ 10000 მცხოვრებზე მოდიოდა საშუალოდ 26 სახელმწ. და კოოპ. საცალო სავაჭრო და დაახლ. 1760 *მ²* სავაჭრო ფართობი. საქ. სსრ-ში 1982 დასაწყისისათვის ითვლებოდა სახელმწ. და კოოპ. ს. ვ-ის 15,7 ათ. საწარმო, რაც 2-ჯერ აღემატება 1940 მაჩვენებელს. საცალო მაღაზიების სავაჭრო ფართობმა ამავე თარიღისათვის შეადგინა 866 ათ. *მ²*; ყოველ 10000 მცხოვრებზე მოდიოდა ს. ვ-ის 31 საწარმო და 1697 *მ²*, სავაჭრო ფართობი; საცალო ვაჭრობაში 1981 საშუალოდ დასაქმებული იყო დაახლ. 74,1 ათ.კაცი. 1982 დასაწყისისათვის სსრკ-ის საცალო მაღაზიების მთელი სავაჭრო ფართობის 53,7% მოდიოდა სახელმწ. ვაჭრობის, ხოლო 46,3% — კოოპ. ვაჭრობის წილად. 1981 წ. 1940 წ-თან შედარებით სახელმწ. და კოოპ. საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვა (საზკვების ბრუნვის ჩათვლით) სსრკ-ში 11-ჯერ, ხოლო საქ. სსრ-ში — 10-ჯერ გაიზარდა. იგივე მაჩვენებელი 1971—81 წლებში სსრკ-ში გადიდდა 176, ხოლო საქ. სსრ-ში 189-ით. უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება ს. ვ-ის პროგრ. სახეები და ფორმები: ვაჭრო-





საცრიანი მილები. ვნების ყვავილის საცრიანი მილები, თანამგზავრი უჯრედები და ფლოემის პარენქიმა: 1 — საცრიანი მილები; 2—თანამგზავრი უჯრედები; 3—პარენქიმული უჯრედები; 4—ბირთვები; 5—ბირთვაკი; 6—პლასტიდები; 7 — რთული საცრისებრი ფირფიტები; 8—გვერდითი საცრები; 9—ციტოპლაზმის ჭიმები

ბა წინასწარ დაკვეთით, საქონლის ბინაზე მიტანით და ა. შ. ინერგება ახ. სავაჭრო ტექნიკა, ტექნოლ., შრომისა და წარმოების მოწინავე ორგანიზაცია.

განვითარებული კაპიტალ. ქვეყნების ს. მ. უპირატესად მონოპოლიზებულია მსხვილი კერძო ფირმების ხელში. სავაჭრო კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას თან სდევს წვრილ და საშ. მოვაჭრეთა მასობრივი გაკოტრება. ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება მსხვილი, მრავალფილიალიანი საცალო სავაჭრო სისტემები. გავრცელებულია კრედიტით ვაჭრობა (იხ. აგრეთვე *ვაჭრობა*). *ვ. ვეფხვაძე.*

საცალო ფასი, ფასი, რ-ის მიხედვითაც მოსახლეობას ან სხვა მომხმარებელს მიეყიდება სახალხო მოხმარების საქონელი; გამოხატავს ურთიერთობას, რ-იც მყარდება სოციალისტურ საზოგადოებასა და მის წევრებს შორის *ეროვნული შემოსავლის* განაწილებისა და გაცვლის პროცესებში. საბ. მოხმარების საქონელსა და ზოგიერთი სახის მომსახურებაზე სსრკ-ში დაწესებულია ფიქსირებული სახელმწ. ს. ფ. სას.-სამ. საკოლმ. ბაზარზე პროდუქციის მცირე ნაწილის ფასს აწესებენ მისი მიწოდება-მოთხოვნის მიხედვით, დანარჩენზე კი — საქონლის მწარმოებლებთან შეთანხმებული შესასყიდი ფასისა და საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით (საკომისიო ვაჭრობის ფასი) სახელმწ. ს ფ-ში იგიდება სსრკ საბ. მოხმარების საქონლის 98%-ზე მეტი.

სახელმწიფო ს. ფ-ის დონეს განსაზღვრავს სახელმწიფო და ცვლილებებიც მასვე შეაქვს. სხვადასხვა საქონელზე ფასებს აწესებენ საკავშ. რესპ. ან ადგილ. ორგანოები. განასხვავებენ ერთიან (საკავშ.) და სარტყელურ (ზონალურ) ფასებს, მუდმივ და სეზონურ ფასებს.

სსრკ-ში ს. ფ-ის რეგულირება სახელმწ. პოლიტიკის ობიექტია.

საცდელი აუზი, ხელოვნური აუზი, რ-იც მოწყობილია გემების მოდელების, მათი მაძრავების, ჰიდროტექნიკური და სანაოსადგურე ნაგებობის გამოსაცდელად. გემის ს. ა-ში ძირითადად ატარებენ ისეთ გამოცდებს, რ-თა მეშვეობით ადგენენ გემის კორპუსის ყველაზე ხელსაყრელ გარე მოხაზულობას, მაძრავის ტიპსა და ელემენტებს, აფასებენ მთავარი ძრავების სიმძლავრეს, საჭეურ მექანიზმებს, მართვადობასა და სხვ.; გემის საზღვაოსნო თვისებების განსასაზღვრავად და მის ცალკეულ ელემენტებსა და მთლიანად კორპუსზე გარე დატვირთვების გამოსაკვლევად ს. ა-ს აქვს სპეც. მოწყობილობა, რ-ითაც ზღვის ღელვის იმიტაციას ახორციელებენ. რუსეთში პირველი ს. ა. ააგეს 1887 —93 დ. *მენდელეევის*, ი. ბუბნოვისა და ა. *კრილოვის* მონაწილეობით. ჰიდროტექ. ს. ა-ს იყენებენ ჰიდროტექ. ნაგებობებზე ტალღებისა და დინებების ზემოქმედების, საფარ ნაგებობათა ეფექტურობისა და მდგრადობის შესასწავლად და სხვ.

საცდელი სტენდი, ობიექტების საკონტროლო, სპეციალური და მისაღები გამოცდების ჩასატარებელი მოწყობილობა. ს. ს-ს აქვს სამარჯვებიანი ფილა (ან სადგარი), რ-ზეც სწრაფად მაგრდება გამოსაცდელი ობიექტი, საკონტროლო-საზომი აპარატურა, აგრეთვე ელექტროენერგიის, შეკუმშული ჰაერის, წყლისა და სხვ მისაწოდებელი კომუნიკაციები. მძიმე კვანძებისა და მანქანების გამოსაცდელ ს. ს-ს აქვს საბრუნი და ამწევ-სატრანსპ. საშუალებები. ნაკადურ-მასობრივ და ავტომატიზებულ წარმოებაში იყენებენ ნაკადში ჩაშენებულ ნახევრად ავტომ ან ავტომ. ს. ს-ს. გამოცდის პროცესში საკონტროლო-საზომი აპარატურის ჩვენებას აკვირდებიან ვიზუალურად ან ჩაიწერენ თვითჩამწერი მოწყობილობებით.

საცეკვაო მუსიკა, ცეკვის თანმხლები მუსიკა. თითოეული ცეკვისათვის იქმნება სხვადასხვა ხასიათის მუს. პიესა, რ-ის რიტმული ფორმულა და ტემპი განსაზღვრულია კონკრ ცეკვით. ს. მ მუსიკის ერთ-ერთი უძველესი ნაირსახეობაა. ხალხ. ს მ. შეიძლება იყოს ვოკალური (უმთავრესად საგუნდო) და საკრავიერი. პროფ. ს. მ უმთავრესად საკრავიერია. ცეკვა, მ. შ. სამეჯლისო ცეკვა, მსუბუქი, ჯაზური მუსიკის შემადგენელი ნაწილია. XVIII—XX სს-ში ს მ-ის მნიშვნელოვანი განშტოებაა მხოლოდ მოსასმენად (და არა ცეკვის თანხლებისთვის) განკუთვნილი მუსიკალური ნაწარმოებები; XIX ს-ში შეიქმნა მაღალმხატვრული, საკონცერტო შესრულებისათვის განკუთვნილი ცალკეული საცეკვაო პიესები (შოპენი, ვებერი, ლისტი).

საცენტრავი ჩარხი, *საბურღი ჩარხების* ჯგუფის *ლითონსაჭრელი ჩარხი*; საცენტრე ბუდეების საბურღი. ს. ჩ-ს აქვს დეტალის ტორსების მისაჭრელი ფრეზებიც.

საცერი, ფხვიერი მასალის მარცვლების სისხოს მიხედვით დამხარისხებელი მოწყობილობა (*ცხავის* მუშა ზედაპირი). განასხვავებენ ბრტყელ (მოვიბრირე, მოქანავე) და დოლურ (მბრუნავ) ს-ებს; იყენებენ სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების დროს, ფქვილისა და კომბინირებული საკვების წარმოებაში და სხვ. (იხ. აგრეთვე *გაცხრილვა*)

საცარული, ღაჯია, მაღალი აფთარი, ხვეულა, წისქვილა, ცერზე ჩამოსაცმელი დასარტყმელი იარაღი ამზადებდნენ ლითონისაგან. გავრცელებული იყო რამდენიმე ვარიანტის სახით ხევსურეთში

ლიტ.: ჩიტაია, ხევსურული საცრული, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1930, № 5. *კ. ჩოლოყაშვილი.*

საცხი, უხერხემლო ცხოველების (ნაწლავღრუიანები, მოლუსკები, რგოლოვანი ჭიები, მხარფეხიანები და სხვ.) სხეულის მოძრავი გამონაზარდი. ს-ები ჩვეულებრივ მთავსებულია სხეულის წინა ბოლოზე და ასრულებს საკვების მიტაცების, ზოგჯერ კი სუნთქვისა და შეხების ფუნქციას.

საცეცხლე, საქვაბე აგრეგატის ან ღუმლის ნაწილი, რ-შიც წვაენენ სათბობს დიდად გახურებული საკვამლე აირის მისაღებად. საკვამლე აირის სითბოს იყენებენ შექან. და ელექტრული ენერგიის გამოსამუშავებლად ან ტექნოლ. მიზნებისათვის. ს. წარმოადგენს კამერას, რ-საც აწვდიან მყარ, თხევად ან აირად სათბობსა და მჟანგავს (ჩვეულებრივ ჰაერს). საქვაბე აგრეგატის ს-ში წვის პროდუქტების სითბო გადაეცემა თბოშემცველს (წყალს, ორთქლს), რ-იც ცირკულირებს ს-ის კედლებზე განლაგებულ მილებში. ღუმლის ს-ში საკვამლე აირის სითბოს იყენებენ ღუმლის სამუშაო სივრცეში მასალის ან ნაკეთობის თბური დამუშავებისა და გათბობისათვის. წვის ინტენსიფიკაციისათვის ჰაერს ამდიდრებენ ჟანგბადით.

ს-ის მუშაობის ეფექტურობისა და ეკონომიურობის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლებია ფორსირება, ანუ ს-ის კვეთის (გეგმაში) თბური ძაბვა, აგრეთვე ს-ის სივრცის თბური ძაბვა. სამუშაო პროცესის ორგანიზაციის მიხედვით განასხვავებენ საქვაბე აგრეგატის 3 ძირითად ჯგუფს: შრისებრს, ჩირაღდნულსა და გრიგალურს. ყველაზე ძველია შრისებრი ს., რ-შიც მყარი სათბობი შრეულად იწვის. XX ს. 20-იან წლებში დაიწყეს დაფქული მყარი სათბობის დაწვა ჩირაღდნულ ს-ში, რ-იც მოსახერხებელი აღმოჩნდა აირადი და თხევადი სათბობის დასაწვავადაც. 50-იან წლებში გავრცელდა გრიგალური ანუ ციკლონური ს., რ-შიც მყარი სათბობის ნაწილაკები თითქმის მთლიანად იწვის კამერა-წინსაცეცხლეში, სადაც იქმნება აირ-ჰაერის გრიგალი. გრიგალური და ჩირაღდნული ს-ები გაერთიანებულია კამერული ს-ების საერთო კლასში.

ლიტ.: Спейтер В. А., Горбаненко А. Д., Повышение эффективности использования газа и мазута в энергетических установках, М., 1974.

საცეცხლე პოზიცია, ადგილი, სადაც იდგმება ერთი ან რამდენიმე ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, ქვემეხი, ტანკი, რეაქტიული არტილერიის საბრძოლო მანქანა და სხვ. მტრისთვის ცეცხლის დასაშენად. ს. პ. შეიძლება იყოს ძირითადი, დროებითი ან სათადარიგო. მტრის შეცდომაში შესაყვანად ცრუ ს. პ-ებს აწყობენ. განარჩევენ დახურულ (გორაკის, ტყის ან სხვა საფარის უკან განლაგებული) და ღია (პირდაპირი დამიზნებით სროლისათვის განკუთვნილი) ს. პ-ებს. ს. პ-ები საგულდაგულოდაა შენიღბული.

საცეცხლური, ქრისტიანულ ეკლესიაში სარიტუალო ჭურჭელი, რ-იც წარმოადგენს ლითონის მრგვალი ფორმის ხუფიან ჯამს, დაკიდებულს 3 ან 4 ჯაჭვზე. ქრისტიანობამ მიიღო იუდეველთა რელიგიისაგან. ს-ში გაღვივებული ცეცხლი და საკმეველი იწვრება. ხელში უჭირავს მღვდელმსახურს, რ-იც უკმევს ხატებსა და მლოცველებს.

ბ. ლომინაძე.

საცეხველი, საცეხვავი, ღრმა ჯამის ფორმის სამეურნეო იარაღი. ხმარობდნენ პურის, ღომის, ბრინჯისა და სიმინდის საცეხვავად. შედგება ს-ისა (ხე ან ქვა) და კეტისაგან ამოძრავებდა ადამიანი ხელით, ფეხით ან გამოიყენებოდა წყლის ძალა. წყლის ძალით ამუშავებდნენ ღომისა და ბრინჯის ს-ს. დას. საქართველოში ასეთ ს-ს წყლის ჩამური (გურია), ოჩამური (სამეგრელო), ცეხვია (ლეჩხუმი) ერქვა სხვა პრინციპით მუშაობდა ბრინჯის საცეხვი დინგი. წყლის ძალით ამოძრავებული ბორბალი საცეხვ დინგებს ამოძრავებდა და ცეხვავდა. *გ. ჯალაბაძე.*

საცხელი ღირებულება, იხ. *საქონელი, ღირებულება.*

საციციანო, სათავადო ფეოდალურ საქართველოში. მდებარეობდა ქართლის გალმა მხარეში (მდ. მტკვრის მარჯვ. სანაპირო). იყოფოდა ზემო და ქვემო ს-დ. ზემო ს. შეიქმნა ძამის ხეობის — გვერდისძირის, ხოლო ქვემო — სოფ. ნიჩბისის ირგვლივ. მათ ერთმანეთისაგან მოჯვნავდა ჯავახიშვილებისა და თარხნიშვილების სამფლობელოები. XIV ს. II ნახევარში ტაო-შავშეთიდან შიდა ქართლში გადმოვიდნენ ფანასკერტელთა ფეოდ. სახლის წევრები, რ-ებიც XV ს-ში საბოლოოდ დამკვიდრდნენ ძამის ხეობაში და საფუძველი ჩაუყარეს ახ. სათავადოს. „ს.“ სახელწ. მომდინარეობს თავად *ციციშვილების* გვარიდან. ს-ს თავდაპირველ ბირთვს შეადგენდა ორბოძლელისეული მამული (ხევდურეთი, კეხისჯვარი). შემდგომში მან მიიღეს უფლისციხე, ქვახვრელი, კარალეთი. ისინი ხშირად ფლობდნენ მეთოხე სადროშოს სარდლის თანამდებობას, რ-იც მათ გამოიყენეს სამფლობელოს გასაფართოებლად. ს-ში შედიოდა ხევდურეთის ხეობა, ძამის ხევი, ვერდისძირი, გუჯარეთი, ნიჩბისი, წყნეთი, დოესი, იისციხე, ავკეთი, ატენი. რეზიდენციები იყო სამწევრისში, მძოვრეთში, ნიჩბისში, ხოლო საგვარეულო საძვლე-სამარხები — ყინწვისში, სამწევრისში, ხევდურეთსა და ნიჩბისში. ს-მ იარსება XIX ს. 40-იან წლებამდე.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955; მაკალათია ს., ძამის ხეობა, თბ., 1961. *გ. გვასალია.*

საციხური, სოფელი ქარელის რ-ნში (ბრეძის სოფსაბჭო). შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლოპანისწყლის მარჯვ. ნაპირზე ზ ფ. 740 *მ*, ქარელიდან 26 *კმ*, აგარადან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*, ბრეძის მეხილეობის საბჭ. მეურნეობის სკოლა, ბ-კა, კლუბი.

საციხური, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (აგარის სოფსაბჭო), არსიანის ქე

დის დას. კალთაზე, მდ. ნაფლატისწყლის (აჭარისწყლის სისტემა) ნაპირებზე. ზ. დ. 1120 *მ*, ხულოდან 11 *კმ*. კ. მარქსის სახ. კოლ-ბა (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა საშ. სკოლა სოფ. აგარაში (3 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. ს-ის მიდამოებშია მინერ. წყალი.

საცნობარო ლიტერატურა, ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებები, რ-თა დანიშნულებაა მრავალმხრივი ცნობის მიწოდება (მეცნ., გამოყენებითი და სხვ.), რაც განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და ფორმას. ს. ლ-თვის დამახასიათებელია თემატიკის სიფართოვე, ამომწურავი პასუხი, ლაკონიურობა, მასალის ისეთი განლაგება, რ-იც ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ მიგნებას. ს. ლ-ში შინაარსისა და ფორმის მიხედვით განასხვავებენ დარგობრივ ცნობარებსა და უნივერს. გამოცემებს, აგრეთვე ისეთებსაც, რ-ებშიც გაშუქებულია კომპლექს. პრობლემები ან პრობლემათა ციკლი. უმეტესი მათგანი ერთჯერადი ან არაპერიოდული (გრძელდებადი) გამოცემაა ს. ლ-ში შედის ენციკლოპედიები, ენციკლოპედიური ლექსიკონები, ლინგვ. და ტერმინოლოგიური ლექსიკონები, საერთო ხასიათის ცნობარები (პოლიტ., სტატისტ. და სხვ.) და სხვ. ამჟამად ფართოდ გავრცელებულია საერთაშ. საცნობარო გამოცემები.

საცრემლე ჯირკვალი, ალვეოლურ-მილაკოვანი ჯირკვალი, რ-იც გამოყოფს ცრემლს, შედგება ზედა (უფრო დიდი) და ქვედა (უფრო პატარა) ნაწილებისაგან; მოთავსებულია თვალბუდის საცრემლე ფოსოში. მისი სიგრძეა 20—25 *მმ*, სიგანე—12—14 *მმ*, სისქე — 5 *მმ* გამომტანი სადინრები ატარებენ ცრემლს კონიუნქტივის პარკში, რ-საც უკავია ზემო თაღის გარეთა ნაწილი. ცრემლი ასველებს თვალის კაკლის ზედაპირს და რქოვანას და შემდეგ ჩადის თვალის შიგნითა კუთხეში — საცრემლე ტბაში, საიდანაც ცხვირ-ცრემლის არხით გადადის ცხვირის ქვემო გასავალში. ს ჯ ნორმალურ პირობებში დღე-ღამეში გამოყოფს 1 ჩაის კოვზ ცრემლს.

ს. აგრეთვე *თვალი*.

Ზ. *კაციტაძე*.

საცრიანი მილები, ცხაურიმილები, ყვავილოვან მცენარეთა გამტარი ელემენტები; წაგრძელებული უჯრედების გასწვრივი ჭიმები. უჯრედებს შორის განლაგებულია საცრისებრი ფირფიტები, რ-თა მრავალრიცხოვანი ხვრელი ამოფენილია ცალოზით. ს. მ-ის ყოველ ნაწევარს თან ახლავს თანამგზავრი უჯრედების ჭიმები. მ-ის განვითარებისას უჯრედებში ტოპლასტი იშლება, ციტოპლაზმა შეერება უჯრედის წვენს, ხდება ორგანელებისა და ბირთვის დეგენერაცია. სავეგეტაციო პერიოდის დასასრულს საცრისებრი ფირფიტის ხვრელები იზომება კალოზით. როცა ს. მ. შეწყვეტს მოქმედებას, დეფორმირდება და ობლიტერაციას განიცდის.

საცრავი ბუშტი, ძვლიანი თევზების ორგანო, რ-იც ასრულებს ჰიდროსტატიკურ, ზოგჯერ სუნთქვის, აგრეთვე ზოგ სხვა ფუნქციას. იგი წინა ნაწლავის ზედა კედლის კენტი გამონაზარდიდან ვითარდება და თავიდანვე ასრულებს ჰიდროსტატიკურ ფუნქციას: აირების რაოდენობა მასში ელექსურად იცვლება, რაც ცელის ს. ის მოცულობას და, შესაბამისად, თევზის ხვედრითს წონას (ს. ბ-ის შეკუმშვის — მომატებას, გაფართოებისას — დაკლებას) და უადვილებს მას ჩაძირვას თუ მოტივტივეებას. ზოგი თევზის ს. ბ. ონაწილეობს ბგერების გატარებასა და ძლიერებაში, ზოგჯერ ბგერებსაც წარმოქმნის. ზოგჯერ კი სუნთქვის დამატებითი ორგანოს ფუნქციასაც იძენს.

ორგვარადმსუნთქავი, მრავალფარფლიანი და მტევანფარფლიანი თევზების ს. წყვილადია. ვითარდება წინა ნაწლავის ზედა კედლის გამონაზარდებიდან, თავიდანვე ემსახურება სუნთქვას (წყალსატევების დროებითი ამოშრობის დროს) და, ამრიგად, არსებითად ფილტვებად უნდა მივიჩნიოთ; მისი სუსტი ჰიდროსტ. ფუნქცია მეორეულია. ხერხემლიანების ხმელეთზე ამოსვლისას ასეთი ს. ბ. საბოლოოდ გარდაიქმნება ფილტვებად.

ლ. ნათაძე.

საცხავატლო, სოფელი დუშეთის რ-ნში (ხეობის სოფსაბჭო), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. არაგვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1190 *მ*, დუშეთიდან 25 *კმ*. ბულაჩაურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ბულაჩაურში (3 *კმ*).

საცხენეთი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (ვანათის სოფსაბჭო), მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1120 *მ*, ცხინვალიდან 17 *კმ*. ვანათის მეცხოველეობის საბჭ. მეურნ.-კომპლექსი. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ვანათში (3 *კმ*).

საცხენისი, მთა, მდ-ების ტანისა და ბამის წყალგამყოფ ქედზე. სიმაღლე 2030 *მ*. აგებულია პალეოცენისა და ქვედაეოცენის მერგელებით, კირქვიანი ქვიშაქვებითა და თიხებით. მთის წვერი მობრტყელებულია, კალთები — დამრეცი, შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ს. . ნემანიშვილი.

საცხენისი, სოფელი გარდაბნის რ-ნში (ახალსოფლის სოფსაბჭო), იორის ზეგნის უკიდურეს ჩრდ.-დას. ნაწილში, მდ ლოჭინის ზემოთში ზ. დ. 900 *მ*, გარდაბნიდან 55 *კმ*, ვაზიანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. მუშროვანის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

საცხვიტავო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ეკის სოფსაბჭო), მდ. ცივის ხეობაში. ზ. დ 160 *მ*, ცხაკაიადან 15 *კმ*. გაზ. „კომუნისტის" სახ ეკის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). საშ. სკოლა სოფ. ეკში (3 *კმ*).

საცხოვრებელი, საცხოვრებელი სახლი, ადამიანის არსებობისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი მატერიალური პირობა. ს-ის ტიპს განსაზღვრავს საწარმოო ძალთა განვითარების დონე, სოც.-ურთიერთობათა და ეკონ. ხასიათი, საოჯახო ცხოვრების ფორმები, კულტ.-ყოფითი ტრადიციები, გარემოს ბუნებრივ-გეოგრ. თავისებურებები. ს-ის ფუნქციური დანიშნულება განისაზღვრება საზ-ბის სოც. სტრუქტურით; კლასობრივ საზ-ბაში ს-ზე გავლენას ახდენს მოსახლ. განსხვავებულ სოც. ფენათა კულტ. და ყოფის თავისებურება.

პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქაში იყენებდნენ ს-ის უმარტივეს ტიპებს (გამოქვაბულები, მიწურები, კარვები). მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის ხანაში დედამიწის ტროპიკულ, სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში, თითქმის ყველა კუთხეში, ნეოლითის ეპოქიდან გავრცელდა ხის, ბამბუკის კარკასიანი, ჭაობიან ადგილებში ან წყალსატევებზე — ხიმინჯებიანი სახლები; მშრალ, უტყეო, აგრეთვე მთისა და მთისწინეთის რ-ნებში აშენებდნენ ქვის, თიხატკეპნილის, ალიზის სხვადასხვა ტიპის ს-ს; სტეპისა და ნახევრად უდაბნოს ზონაში აზიისა და აფრ. მესაქონლე ხალხების ს. იყო კარავი. ევროპასა და აზიაში, პირენეებიდან ჰიმალაიამდე, წიწვოვანი ტყით მდიდარ რ-ნებში გავრცელებული იყო ჯარგვალის ტიპის ს. ჩრდილოეთის ხალხები, რ-თაც არ ჰქონდათ ხე-ტყე, ეშაპის ნეკნებისა და ყბების ძვლებისაგან აგებდნენ კარკასიან ქოხებს,, ესკიმოსები — თოვლის ქოხებს — იგლუებს. თავდაპირველად ს-ის გასათბობად იყენებდნენ შუაცეცხლს, კერას, რ-იც შეცვალა კედელზე მიდგმულმა კერამ, აქედან წარმოიშვა ბუხარი (გავრცელდა წინა აზიაში, კავკასიასა და დას. ევროპაში).


ძვ. აღმოსავლეთის საზ-ბაში საფუძველი ჩაეყარა ქ-ებს, შეიქმნა ქალაქური ს-ის სხვადასხვა სახე. ს-ის ერთ-ერთი უძვ. ფორმა, რ-იც შემოინახა კრეტა-მიკენის კულტურამ (ძვ. წ. II ათასწლ.), იყო *მეგარონი*. ელინიზმის ეპოქის ბერძნ. მდიდრული ქალაქური ს-ის ეგემას საფუძვლად ედო *პერისტილი*. ძვ. რომის საცხოვრებელ სახლებში სათავსები განლაგებული იყო *ატრიუმის* ირგვლივ, ხოლო ქ-ებში შენდებოდა მრავალსართულიანი ს-ები — ინსულები.

ფეოდალიზმის ეპოქაში ფეოდალის ს-ის ძირითადი ტიპი იყო ციხე-დარბაზი; შუა საუკ. ფეოდალები რუსეთში თავდაპირველად აშენებდნენ ხის შენობებს (ჯარგვალებს), რ-ებიც შემდეგ ნაწილობრივ ან მთლიანად ქვის ნაგებობებმა შეცვალა.

ბალტიისპირეთში, კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით (უხვი წვიმები), შეიქმნა ჯარგვალის სახის ს-ის ტიპები. შუა საუკ. ჯარგვალის სახის ს-ების სხვადასხვა ტიპი გავრცელებული იყო ჩრდ. ცენტრ. და ნაწილობრივ სამხრ.-აღმ. ევროპაში. ფინეთში, სკანდინავიაში, ჩრდ. დანიაში მთიან რ-ნებში (ალპები, პირენეები) ძველთაგანვე აგებდნენ დიდ, ჯარგვალის სახის ან ქვისა და ხის მორების ს-ს. ჩრდ. გერმანიასა და ნიდერლანდში, დანიის სამხრ-ით და ლოთარინგიაში გავრცელებული იყო ჩრდ.-ევრ. კარკასული სახლის ტიპი („ჰალენჰაუზი"), რ-შიც ერთი მაღალი სახურავის ქვეშ მოქცეული იყო საცხოვრ. და სამეურნ. სათავსები. დას. ევრ. ქვეყნებში — საფრ. და ბელგიის ბევრ რ-ნში, შოტლანდიაში, უელსსა და ირლანდიაში, ნაწილობრივ შუა და სამხრ. გერმანიაში გავრცელებული იყო ქვის ან კარკასული ერთ- და ორსართულიანი სოფლის ს. პირენეს, აპენინისა და ბალკანეთის ნ.-კ-ებზე, აგრეთვე საფრ. სამხრ-ით და შვეიცარიაში, დუნაის აუზში შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა სამხრ ევრ. ს-ის მრავალი სახე, რ-თა პირველად ბირთვს შუაცეცხლიანი სათავსი წარმოადგენდა. საშენ მასალად იყენებდნენ აგურს, ქვას, თიხას და სხვ. სამხრ. ევრ. ს-ის ერთ-ერთი ვარიანტი იყო შიგაეზოიანი სახლი, რ-იც ძირითადად საბერძნეთში, სამხრ. ესპანეთსა და იტალიაში გავრცელდა.

სამხრ. ევრ. ს-ს ენათესაება ჩრდ. აფრ., წინა, შუა და ნაწილობრივ სამხრ. აზიის სოფლისა და ქალაქის მობინადრე მოსახლეობის ს. მომთაბარე-მესაქონლეთა ს. იყო გადასატანი იურტები და კარვები. კავკ. ხალხებში, ზემოხსენებულ ს-თა გარდა, გავრცელებული იყო ტერასული განაშენიანება ბანიანი სახლებით. ინდუსტანის სოფლის ს., რ-იც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შეიქმნა, არსებობას განაგრძობდა XX ს-შიც. დასავლეთის ცენტრ. გვალვიან რ-ნებში აგებდნენ ბრტყელსახურავიან თიხატკეპნილისა და ალიზის სახლებს. ჩრდ. პირმალაისპირეთის ტყიან რ-ნებში—მაღალსახურავიან ხის სახლებს. აღმ. აზიის ქვეყნებში უძვ. დროიდან გავრცელებული იყო კარკასული ს., რ-იც შედგებოდა 2 ან 3 სათავისაგან დამახასიათებელი თავისებურება იყო ე. წ. დაწოლილი საკვამური, რ-ზედაც მოწყობილი იყო საწოლი („კანი") და თბებოდა საკვამურში გამავალი ცხელი ჰაერით. სამხრ. ჩინეთში ს-ს აგებდნენ ბამბუკით, ზოგჯერ ხიმინჯებზე. აქვე იყო გავრცელებული ს-ის ნაგებობები ნავებსა და ტივებზე. ჩრდ.-დას. ჩინეთში ხშირად ს-ად იყენებდნენ ლიოსებში მოწყობილ ხელოვნურ გამოქვაბულებს. კორეელთა სახლები ბევრით ენათესავება ჩრდ. ჩინურს. იაპონიაში ხშირი მიწისძვრების გამო გავრცელებულია მსუბუქკარკასიანი და მოძრავტიხარებიანი შენობები. გვიან დ. ფეოდალიზმისა და კაპიტალ. ურთიერთობათა ჩასახვის ხანაში სწრაფად იზრდებოდა ქ-ები. დიდებულთათვის ქალაქში და ქალაქგარეთ შენდებოდა მდიდრული სა-

საცხოვრებელი



კოშკიანი საცხოვრებელი სახლები. სვანეთი.



ნენების საცხოვრებელი (ჩუმი).

საცხოვრებელი



პალენპაული (ჩრდ. გფრ).



მემამულის სახლი. კარ-მიდამო როჟდესტვენო. მოსკოვის მახლობლად. 1810-იანი წლები.

სახლეები, რ-თაგან ბევრი ხუროთმოძღვრების ძეგლია (იტალ. პალაცო; XVII—XVIII სს., ფრანგ დიდებულთა სასახლეები).

კაპიტალიზმის განვითარებამ თანდათან განდევნა სხვადასხვა ხალხის ტრადიციული ს-ის სახეები. სამშენებლო ტექ. განვითარებას, ახ. კონსტრუქციებისა და მასალების (ლითონი, რკინაბეტონი) გამოყენებას, სანტექ. მოწყობილობების, ცენტრ. გათბობის, ლიფტებისა და სხვ. მასობრივად გამოყენებას მოჰყვა ს-ის ახ. ტიპების შექმნა. სოფლის მოსახლეობის მოზღვავებამ ქალაქში გაზარდა მოთხოვნილება ს-ზე. XIX ს-ში თანდათან ს-ის ძირითად სახედ იქცა მრავალბინიანი *შემოსავლიანი სახლი*. 1930—40-იანი წლებიდან თანდათან გავრცელდა მრავალსართულიანი სექციური შემოსავლიანი სახლების მშენებლობა. ამავე პერიოდში დაიწყო აგრეთვე გალერეიანი და კორიდორული ტიპის სახლების მშენებლობა.

მშრომელთა ბრძოლა საცხოვრ. პირობების გასაუმჯობესებლად ბურჟუაზიას იძულებულს ხდიდა ეზრუნა ს-ით მათი მოთხოვნილების ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად მაინც. მსხვილი მეწარმეები აშენებდნენ მუშათა დასახლებებს. XIX ს. დასასრ. და XX ს. დამდეგს მუშებისათვის დაიწყო „სოციალური" მშენებლობა (ანუ მშენებლობა მუნიციპალური და კოოპ., სახელმწ. სუბსიდიებითა და სესხით). — ე. წ. იაფფასიანი ბინები მუშებისათვის, იგი გავრცელდა 20-იანი წლების ევროპაში მწვავე საბინაო კრიზისის პირობებში; მაგრამ მან დიდი გავლენა იქონია როგორც ს-ის შემდგომ განვითარებაზე, ისე XX ს. არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობაზე. ამ პერიოდის ს-ის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა *ფუნქციონალიზმის* იდეებმა. „სოციალურ" მშენებლობასთან დაკავშირებულია ს-ის მეცნ. საფუძველზე დაპროექტების პირველი ცდები. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდგომ პირველ ათწლეულში „სოციალური" მშენებლობა ძირითადად სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტების ხარჯზე მიმდინარეობდა. გავრცელდა მრავალსართულიანი სახლების კოოპ. მშენებლობა. ზოგ ქვეყანაში მშენებლობაში მონაწილეობდა სახელმწ. — კაპიტალ. მონოპოლიები. მასობრივი მშენებლობა რეგლამენტირებულია მთელი რიგი ნორმებით. ძირითადი საშენი მასალაა რკინაბეტონი. ფართოდ იყენებენ ლითონს, მინას, პლასტიკატებს. თანამედროვე მშენებლობისათვის დამახასიათებელია ანაკრები კონსტრუქციები, კომპოზიციური და დაგეგმარებითი გადაწყვეტის მრავალფეროვნება. ფართოდაა გავრცელებული სექციური სახლები. 30-იან წლებში იყო ცდები შეექმნათ სახლები სრულყოფილი საზ. მომსახურებით (საცხოვრებელი სახლი მარსელში, 1947—52, არქიტ. ლე კორბუზიე), რ-მაც კაპიტალიზმის პირობებში ვერ პოვა შემდგომი განვითარება. სამაგიეროდ კაპიტალ. ქვეყნებში (საფრ., შვეიცია) ფართოდ გავრცელდა საცხოვრ. სახლების მშენებლობის ინდუსტრ. მეთოდები, რაც მშრომელების „იაფი" ს-ით დაკმაყოფილების მეტ საშუალებას იძლეოდა. მიუხედავად მშენებლობის ფართო მასშტაბისა და დიდი ტემპებისა, მთელ რიგ კაპიტალ. ქვეყნებში ქ-ებს გარს ერტყმის ღარიბთა კვარტალები — ჯურღმულები, რ-ებშიც ზოგჯერ ქ-ის მოსახლეობის 1/3 ცხოვრობს.

საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულია პალეოლითის ხანის პირველყოფილი ადამიანის ს. გამოქვაბულები (დევისხვრელი, საკაჟია, მღვიმევი და სხვ.). არქეოლოგიურად შესწავლილია ნეოლითის საცხოვრისები (ანასეული, ოდიში, მამათი, სამელე კლდე და სხვ.).

გვიანდ. ნეოლითის ხანას მიეკუთვნება მოზრდილი ნამოსახლარების ნაგებობები: შულავრის გორაზე (ძვ. წ. V ათასწლ.), იმირის გორაზე (ძვ. წ. IV ათასწლ.), ურბნისთან ქვაცხელების ანუ ტვლეპიანქოხის (ძვ. წ. III ათასწლ.) სადგომები. ამ ნაგებობების გეგმისა და სივრცის ძირითადი მაორგანიზებელი ბირთვი (ოთახის შუაში მოთავსებული კერა, მასთან მდგარი ხის საყრდენი ბოძი, ერდო) გენეზისურად უკავშირდება განვითარების შემდგომ საფეხურზე აღმ. და სამხრ. საქართველოში ჩამოყალიბებული ს-ის ძირითად ტიპს, ე. წ. *დარბაზულ სახლს*. ძვ. წ. II—I ათასწლეულებს მიეკუთვნება დასახლებები ხელოვნურად გამაგრებულ გორაკებზე (ნაცარგორა, ცხინვალთან). არსებობს ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობები საქართველოში არსებულ ს-თა შესახებ. ძვ. წ. I ათასწლ. II ნახ. და ახ. წ. დასაწყისისათვის (როცა კოლხიდისა და იბერიის სახელმწიფოები წარმოიქმნა). ქსენოფონტე (ძვ. წ. V—IV სს.) აღწერს გამაგრებულ ქ-ებს, სასახლეებს, კოშკებიან ხის სახლებს, სტრაბონი — კრამიტისახურავიან ს-ებს, საზოგადოებრივ შენობებს; ვიტრუვიუსს აღწერილი აქვს კოლხური საცხოვრებელი სახლი, რ-საც ძელებით ნაშენი პირამიდული სახურავი და ზემოთ დატანებული ხვრელი აქვს (კვამლისა და განათებისათვის), რაც სამშენებლო ტრადიციების არსებობის ღრმა ფესვებზე მიუთითებს. საქართვ. ბარში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე აღმოჩენილია ორთკუთხა წნულკედლებიანი ს-ები; ზოგან ორსართულიანი წნული სახლების აგებაც სცოდნიათ. არქეოლ. მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოში წნული ს-ის გვერდით გავრცელებული ყოფილა ჯარგვალი — მორებით ან ძელებით გვირგვინისებურად შეკრული ნაგებობა (ძვ. წ. III ათასწლ.). შუა საუკუნეებში ასეთი ს-ები სამეგრელოსა და იმერეთში ჩაუბატავთ და აუწერიათ კრისტოფორო კასტელისა და არქანჯელო ლამბერტის. უძველესი ჯარგვალი ერთსათავსიანი ნაგებობაა. მოგვიანებით აგებდნენ მრავალსათავსიან ჯარგვალსაც. XIX ს-ში დამოწმებულია ერთ- და ორსართულიანი ჯარგვალი. კოლხეთის დაბლობზე მიკვლეულია გორაკებზე განლაგებული, წყლის არხებით შემოფარგლული დასახლებები (ნაოხვამუ, დიხა-გუძუბა და სხვ.), სადაც იყო გეგმით წრიული ან მრავალკუთხა, ხის ან წნული საცხოვრებელი ხმინჯებიანი სახლები. სავარაუდოა, რომ მათთან ეთნოლუციურად დაკავშირებულია დას. საქართვ. გავრცელებული საცხოვრ. სახლის ტიპი — *ოდა*. სამხრ.-დას. საქართველოში გავრცელებულია ს-ის განსაკუთრებული ტიპი, ე. წ. აჭარული ს. ორსართულიანი ხის ნაგებობა. მისი მსგავსია ლაზური სახლი.



იფუგაუს ხალხის (ფილიპინები) ხიმინჯიანი საცხოვრებელი.

აღმ. საქართვ. ბარში ყველაზე გავრცელებული იყო დარბაზი, ერდოიან-გვირგვინიანი და მიწურბანიანი ს-ები, სამხრ. საქართვ. ტერიტორიაზე გვხვდება ციკლოპური ხასიათის (თარიღდება ნეოლითიდან მოყოლებული ფეოდალიზმის ეპოქის ჩათვლით). ს-ის რამდენიმე სახეობა (გოხნარი I, ბეშთაშენი, ოზნი, ნადრევანი, გუმბათი, შაორი და სხვ.).

ადრინდ. და განვითარებული ფეოდ. ბანიდან მოაღწია უჯარმის (V ს.), ნადარბაზევის (IX—X სს. მიჯნა), *ვანთის*, *ჭერემის*, *ვაჩნაძიანის* (IX ს.) და სხვ. სასახლეებმა; ასევე *გეგუთის* სამეფო ციხე-დარბაზმა. აღსანიშნავია გამოქვაბული ქალაქის *ვარძიისა* და *დავით-გარეჯის* ს. კომპლექსები; სოფლისა და ქალაქის საცხოვრ. სახლები (მცხეთა, დმანისი, რუსთავი, სამშვილდე და სხვ., XI—XIII სს.).

გვიანი შუა საუკუნეების ს-ის დამახასიათებელია საცხოვრ. და თავდაცვითი ფუნქციების შერწყმა, რაც გამოწვეული იყო ხშირი შინა ომებისა და გარეშე მტრების თავდასხმებით. ამ სახის ნაგებობათაგან ცნობილია ანანურის ციხე-ქალაქის კოშკი „შეუპოვარი" (XIV—XV სს.), ჯაპუა მაღალაძის კოშკი წინარეხში (1673), ხალთის კოშკი (XVIII ს.), მუხრანის ე. წ. შიოსუბნის ციხის „მამაბურჯი" (1756), ქსოვრისის კოშკი (XVIII ს.) და სხვ.; აგრეთვე ფეოდ. ციხე-სასახლეები, რ-ებსაც უშუალოდ მიშენებული აქვთ უფრო მაღალი, გეგმით კვადრატული საიავდაცვო კოშკები: ძაღინაში ფალავანდიშვილების სასახლე (XVII ს.), რუისპირში ადამანთა ციხე (XVII ს. ბოლო მესამედი) და სხვ. გვხვდება სამრეკლოსთან ეკლესიის კარიბჭისა (I სართული) და ს-ის ფუნქციების შეთავსება (ნინოწმინდა, XVI ს., ანჩისხატი—თბილისში, 1675 და სხვ.), აგრეთვე, ორსართულიანი სასახლეები (საბა ტუსიშვილის სასახლე ნინოწმინდაში, XVIII ს. 70-იანი წლები და სხვ.).

ამ ეპოქის ქ-ების ს-თვის დამახასიათებელია მკაფიო სოც. დიფერენციაცია. შენდება სამეფო თუ ფეოდ. არისტოკრატიის დიდი, მდიდრული სასახლეები (ერეკლე II-ის სასახლე თელავში, XVIII ს.), ხელოსნებისა და ვაჭრების ქვის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, დაბალი ფენის ერთსართულიანი, ერთოთახიანი, ბანიანი ს. მთიან რ-ნებში ფართოდ იყო გავრცელებული კოშკური ს., რ-საც ისტ. პირობების შესაბამისად, თავდაცვითი ფუნქციაც ჰქონდა (დუროიანი სახლი ზემო რაჭაში, ქვითკირი ხევსურეთში, ლაზგა მურყვამი სვანეთში და ა. შ.). თუშეთსა და სვანეთში გავრცელებული იყო ორსართულიანი, ქვითკირით ნაგები, ორფერდასახურავიანი ს-ებიც. აღმ. საქართვ. მთაშ გავრცელებულია მიწურბანიანი ს. არსებობდა ორსართულიანი და ცნობილია სამსართულიანი კალოიანი ს-იც, რ-ის პირველ სართულზე საქონლის სადგომი იყო, მეორეზე — საცხოვრებელი, ხოლო მესამეზე კალო და სხვა სახის დამხმარე სათავსები. ს-ის განსაკუთრებული ვარიანტია გვირგვინით გადახურული ფშაური მოქცეული — ერთსათავსიანი ნაგებობა, რ-საც გაუტიხრავი საცხოვრებელი სათავსი და დამოუკიდებელი სამეურნ. ნაგებობები აქვს.

აღმ. საქართველოში (ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) ძველთაგანვე აშენებდნენ დარბაზის ტიპის ს-ებს, რ-ის ნიმუშებმა დღემდე მოაღწია. დას. საქართველოში იხვეწება და საერთო გავრცელებას პოულობს ოდა-სახლი. კლასიციზმისა და ადგილტრადიციების ორგანული შერწყმით შეიმუშავდა ქალაქური 2—3-სართულიანი საცხოვრებელი სახლის ორიგ. არქიტექტურა.

XIX ს. II ნახევრიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ქალაქების საცხოვრებელი სახლების გეგმარება (ე. წ. შემოსავლიანი სახლები) და არქიტექტურა (ეკლექტიზმი, მოდერნი) თითქმის იდენტურია ევრ., რუს. ქ-ების საცხოვრებელი სახლებისა.

ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ სსრკ-ში უკვე 20-იანი წლების დასაწყისში, შეიქმნა 1—2 სართულიანი, 3—4 ბინიანი სახლებით განაშენიანებული მუშათა დასახლებები (ვოლხოვის ჰესის მშენებლობა). 1925 შედგა I ტიპობრივი სექციური პროექტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მოსკოვში. სტანდარტული საშენი მასალებს

ართოდ გამოყენების ერთ-ერთი პირველი გალითია ს. შაუმიანის სახ. მასივის ნაშენიანება ბაქოში (1925—28, არქიტ. . სამოილოვი). ამავე ხანებს მიეკუთვნება ახ. ტიპის ს-ის შექმნის ცდები. შენება საცდელი სახლები (ე. წ. სახლი-კომუნები და სხვ.); განსაკუთრებით ფაროდ აიშალა საბინაო მშენებლობა დიდი სამამულო ომის (1941—45) დამთავრების შემდეგ. საფუძველი ჩაეყარა ტიპობრივ დაპროექტებასა და მშენებლობის ინდუსტრიზაციას. 1950-იან წლებში საბინაო შენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე ადასელამ შესაძლებელი გახადა წამოეყენებინათ ამოცანა ყოველი საბჭოთა ოჯახის ალკე კეთილმოწყობილი ბინით უზრუნელსაყოფად. 1966-იდან სსრკ-ში ყოველ ელს საექსპლუატაციოდ გადაეცემა 100 ლნ. მ² ს-ის სასარგებლო ფართობი. ახ. ჯიპური პროექტებით შენდება სექციურ-ინებიანი სახლები. ქვეყნის ტერიტ. დგილობრივი კლიმატური პირობების იხედვით დაყოფილია ზონებად.

ძირეულად გარდაიქმნა ს-ის მშენებლოა სოფლად. გაიზარდა სახლების მოცუობა, ფუნქციური დანიშნულების შესაბაისად გამოიყო სათავსები. ღუმლებისა და უბრების პარალელურად დიდ ადგილს აკავებს სხვადასხვა ტიპის ქურები და ახ. ახის ღუმლები. მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობა გადავიდა ბინადარ ცხოვრებაზე, კარვებისა და გადასაანი ს-ების ნაცვლად, მათთვის შენდება უდმივი სახლები (ჩრდ-ის მონადირეები და მეირმეები, შუა აზიელი მწყემსები). 1970-იანი წლებიდან განხორციელდა ახ. ჯიპური პროექტებით ს-ის მშენებლობაზე ადასელა.

ქართ. საბჭ. არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საბინაო მშენებლობას ყოველთვის განსაკუთრებული ურადღება ექცეოდა. საბინაო მშენებლობამ დიდი გაქანება მიიღო 1950-იანი წლების შუა ხანიდან. საცხოვრებელი სახლები შენდება ტიპობრივი პროექტების საფუძველზე, ქარხნული წესით დამზადებული ასაწყობი დეტალებისა და კონსტრუქციების მომარჯვებით.

ევრ. სოციალ. ქვეყნებში — პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მასობრივი მშენებლობისათვის ეკონომიკურად ხელსაყრელი, მოხერხებულად დაგეგმარებული ბინებისა და სახლების ტიპების შესაქმნელად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექ. პროგრესისა და ფუნქციონალური დაგეგმარების ამოცანათა გადაწყვეტის საფუძველზე განხორციელებულ საბინაო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას. ამავე დროს წარმატებით იყენებენ ეროვნ. არქიტ. ტრადიციებს. ამჟამად ევრ. ქვეყნებში სოფლად საბინაო მშენებლობაშიც იყენებენ ტიპობრივ პროექტირებას.

ლიტ.: ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, [ტ.] 1—3, თბ., 1956—79; ბერიძე ვ., ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია, «ქართული ხელოვნება», 1955, ტ. 4; მისივე, თბილისის ხუროთმოძღვრება (1801—1917), [ტ.] 1—2, თბ., 1960—63; მისივე, XVI—XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983; გაგოშიძე ვ., საცხოვრებელი სახლების დაპროექტება, თბ., 1971; ჯანბერიძე ნ., ქართული საბჭოთა არქიტექტურა. განვითარების გზა, თბ., 1971; Энгельс Ф., К жилищному вопросу, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 18; Гинзбург М. Я., Жилище. Опыт пятилетней работы над проблемой жилища, [М.], 1934; Джанберидзе Н. Ш., Кинцурашвили С. Ш., Архитектура Советской Грузии. (Альбом), М.—Тб., 1958; Джанберидзе Н. Ш., Цицишвили И. Н., Архитектура Грузии от истоков до наших дней, М., 1976; Кинцурашвили С. Ш., Архитектура Советской Грузии, М., 1974; Лежава Г. И., Джандиери М. И., Архитектура Сванетии, М., 1938; Платонов Г. Д., Поздняков П. П., Основы развития жилища, Л., 1968; Самойлова Н. А., Новое в архитектуре социалистических стран Европы, М., 1971; Сумбадзе Л. З., Архитектура грузинского народного жилища, Тб., 1984; Цинцадзе В. Г., Тбилиси. Архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия, Тб., 1958.

ს. კინწურაშვილი, ა. ქალდანი.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 528—529.

საცხოვრებელი ადგილი, ადგილი, სადაც მოქალაქე მუდმივად ან უპირატესად ცხოვრობს (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მ. 16). კანონით დადგენილი წესით მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს ს. ა. (მ. 10); მას შეუძლია ჰქონდეს მხოლოდ ერთი ს. ა.; 15 წლის ასაკამდე არასრულწლოვნისა და აგრეთვე მეურვეობაში მყოფი მოქალაქის ს. ა-ად ითვლება მათი მშობლების ან მეურვეების ს. ა.; მრავალ შემთხვევაში ს. ა-ს იურიდ. მნიშვნელობა აქვს. მაგ., როგორც წესი ს. ა-ის მიხედვით ხორციელდება საარჩევნო უფლება, სამხ. ვალდებულთა აღრიცხვა, *მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების* რეგისტრაცია და სხვ.

საჯაგლიშვილი გიორგი იერონიმეს ძე, იხ. *კირიონ II.*

საჯალიხევი, მდინარე იმერეთის მაღლობზე, ყვირილის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. ღ. 815 *მ*. სიგრძე 10 *კმ*, აუზის ფართ. 125 *კმ²*. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა — ზამთარში. *ი. აფხაზავა.*

საჯეგაშრი პირველი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ნში (კორინთის სოფსაბჭო), მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1050 *მ*, ლენინგორიდან 12 *კმ*. ლარგვისის კოლ-ბა (მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ლარგვისში (5 *კმ*). ბ-კა.

საჯელე, ვულკანური მწვერვალი ხევის კავკასიონის მთავარ ქედზე, ჯვრის უღელტეხილის აღმ-ით, მდ-ებს ხადისხევსა და ბიდარის სათავეებს შორის. სიმაღლე 3307*მ*. აგებულია ანდეზიტებით. დას. და აღმ. კალთები დამრეცია, სამხრ. და ჩრდ.—ციცაბო. ს-ის ზედა ნაწილი მოკლებულია ნიადაგ-მცენარეულ საფარს, კალთებზე ალპ. და სუბალპ. მდელოებია. *მ. სანებლიძე.*

საჯელი, სოფელი ახალციხის რ-ნში, ახალციხის ქვაბულში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ხაკი). ზ. დ. 1220 *მ*, ახალციხიდან 5 *კმ*. საძელის მეკარტოფილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

საჯელისი, ისტორიული პუნქტი აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლში, მდ. ალგეთის მარცხ. შენაკადის ამლევისწყლის აღმ-ით, ახლანდ. სოფ. ამლევიდან (თეთრი წყაროს რ-ნი) 2 *კმ* დაშორებით. ადგილის სახელწ. „ს.“ მოდის მონასტრის სახელიდან. შემორჩენილია მაცხოვრის ეკლესია (სიგრძე 10,5 *მ*, სიგანე 5,5 *მ*, სიმაღლე 6 *მ*). ვარაუდით, აგებულია XVII ს-ში.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

საჯელისღელე, როშკა-ჯუთა, ულელტეხილი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 2633 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. შემოსილია სუბალპ. მდელოებით. მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობას აკავშირებს მდ. სნოსწყლის (თერგის აუზი) ხეობასთან.

საჯვალე, საგანგებო სათავსი, უპირატესად ტაძრებისა და ეკლესიების იატაკქვეშ ან ცალკე, მათთან ახლოს, საკულტო ადგილებში კი—მიწის ქვეშ, რ-შიაც კრძალავდნენ ოჯახის, გვარის წევრებს; ს. მრავალგზის და ხანგრძლივად გამოსაყენებელი, ჩვეულებრივ მოზრდილი, კარიან-ტახტრევნიანი საკრძალავია, აგებული ან კლდეში გამოკვეთილი, რ-ის გაღება და კვლავ დახურვა შეიძლებოდა. ს. ჰქონდათ ძვ. ეგვიპტეში, სადაც მას, ისევე როგორც მუმიებს, სფინქსები იცავდნენ. საქართველოში ს. განსაკუთრებით გავრცელდა ადრინდ. ფეოდ. ხანიდან. თავისებური ს-ები იყო აგრეთვე ე. წ. კრიპტონები და ოსუარიუმები.

ს-ს (საგანგებოდ გაჭრილ ორმოებს) აკეთებენ არქეოლ. გათხრების ადგილებშიაც, რათა აღმოჩენილი ძვლები გადარჩევის შემდეგ დამარხონ. იგი აღნიშნულია გათხრების გეგმაზე და სხვა საველე დოკუმენტებში. ზოგი არქეოლ. ექსპედიცია გათხრებისას აღმოჩენილ ყველა ძვალს აღრიცხავს და იცავს შემდგომი ინფორმაციის მისაღებად. საქართველოში ამ მეთოდს მიმართავს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლ. ექსპედიცია, რ-საც საგანგებო ს. — ოსტეოთეკა აქვს. *ა. აფაქიძე.*

საძიებო ბურღვა, სადაზვერვო ბურღვა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა *ძებნა* და *ძიება* (დაზვერვა) ჭაბურღილების საშუალებით. იყენებენ აგრეთვე საინჟინრო და ჰიდროგეოლ. გამოკვლევების დროს. ბურღვის მეთოდებს შეარჩევენ კვლევის ამოცანის (ძებნისა და ძიების სტადია), საკვლევი ობიექტის რაობის (წიაღისეულის სახეობა, განლაგების სიღრმე და სხვ.) მიხედვით. იხ. აგრეთვე *ბურღვა.*


საძირე საშუალებანი, *ძილის* მომგვრელი სამკურნალო პრეპარატების ჯგუფი; დიდი დოზები იწვევს *ნარკოზის* მდგომარეობას. დამთრგუნველად მოქმედებს ცენტრ. ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილზე. ს. ს-ს განეკუთვნება სხვადასხვა ქიმ. ბუნების ნივთიერებანი: ბარბიტურმჟავას (ბარბიტალი, ფენობარბიტალი, ბარბიტალ-ნატრიუმი, ბარბამილი, ეტამინალ-ნატრიუმი, ციკლობარბიტალი) და პიპერდინის (ნოქსირონი) წარმოებულნი, ალიფატური რიგის შენაერთები (ქლორალჰიდრატი, კარბრომალი, ბრომიზოვალი) და სხვ. ძილის ნორმალიზაციას ხელს უწყობს აგრეთვე სხვა ფარმაკ. ჯგუფების სამკურნ. პრეპარატები — სედატიური საშუალებანი (ბრომიდები, ვალერიანის პრეპარატები), ტრანკვილიზატორები (დიაზეპამი ან სედუქსენი, ნიტრაზეპამი, ელენიუმი და სხვ.), რ-ებიც ამცირებენ ემოციურ აგზნებადობას, ხსნიან დაძაბულობისა და მოუსვენრობის შეგრძნებას, აადვილებენ დაძინების პროცესს და აღრმავებენ ძილს.

ს. ს-ს იყენებენ ძილის ყოველგვარი დარღვევისას. თუ ავადმყოფი ადვილად იძინებს, მაგრამ ადრე იღვიძებს, იყენებენ გახანგრძლივებული მოქმედების პრეპარატებს (ბარბიტალი, ფენობარბიტალი), თუ გაძნელებულია დაძინების პროცესი, ხოლო შემდეგ ძილი ნორმალურია, უნიშნავენ ბარბამილს, ეტამინალ-ნატრიუმს, ნოქსირონს და სხვ. ს. ს-ით გამოწვეული ძილი არსებითად განსხვავდება ბუნებრივი ძალისაგან, რადგანაც ირღვევა ძილის პერიოდების ფიზიოლ. მონაცვლეობა (ითრგუნება განსაზღვრული ფაზები). ს. ს-ების მიღების შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს პარადოქსული ძილის ფაზის მკვეთრი გაგრძელება — მძინარობის შეგრძნება, კოშმარული სიზმრები.

ს. ს-თა ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება სუსტად არის გამოხატული, მაგრამ ისინი აძლიერებენ არანარკოტიკული ანალგეტიკების (იხ. *ტკივილგამაყუჩებელი საშუალებანი*) — ამიდოპირინის, ანალგინისა და სხვათა ეფექტს. ამიტომ მათ იყენებენ ნევრალგიური ტკივილების დროს. ს. ს-თა დიდმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა, სუნთქვის დათრგუნვა, სხეულის ტემპ-რისა და არტერიული სისხლის წნევის დაწევა და სხვ. გახანგრძლივებული მოქმედების ს. ს-ის ყოველდღიური ხმარება იწვევს ორგანიზმში მათ დაგ-



საძირკვავი ბულდოზერ-სატვირთველი.



ა

ბ

გ

დ

ე

ვ

საძირკვავი მანქანა. საძირკვავი მანქანების სქემები: ა—ბაგირიანი ტრაქტორი (პირდაპირი წვეთი ამოსაძირკვავი); ბ—ექსკავატორი საცელელი საძირკვავი მოწყობილობითურთ; გ, დ, ე—საძირკვავ-შემკრებები წინა და უკანა ჩამოკიდებით; ვ—საძირკვავ-სატვირთველის ყბებიანი სატაცი; ვ—როტორული ტიპის თვითმავალი მანქანა.

როვებას — კუმულაციას, რასაც დაერთვის მძინარობის მუდმივი შეგრძნება, ფსიქიკის დათრგუნვა, მოძრაობის დარღვევა და სხვ. ს. ს-თა ხანგრძლივად მიღებისას შეიძლება განვითარდეს ამ წამლისადმი მიჩვევის გრძნობა (იხ. *ნარკომანია*).

საძირე, მცენარე ან მისი ნაწილი, რ-ზეც ამყნობენ სხვა მცენარის ნაწილს — კვირტს, რქას, კალამს. ს-ის დანიშნულებაა მევენახეობაში *ევროპული ვაზის* დაცვა ფილოქსერისაგან; მეხილეობაში — მსხმოიარობის დაჩქარება, ზრდის სიძლიერის რეგულირება, ხელსაყრელ ნიადაგურ პირობებთან შეგუება, ყინვა- და გვალვაამტანობის, მავნებლებ-დაავადებებისადმი გამძლეობის ამაღლება და სხვ. ვაზის ძირითადი საძირეები ბერლანდიერი რიპარია 420ა, შასლა ბერლანდიერი 41ბ, რიპარია რუპესტრის 3309, 3306, რუპესტრის დუ ლო და სხვ.; ვაშლისა — მაჟალო, დუსენი, პარადისი, ხომანდული; მსხლისა — პანტა, კომში; ბლისა — ბალამწარა; ალუბლისა — ალუბალი და ბალღოჯი; ატმისა — ნუში და ატმის კულტ. ჯიში; ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლისა — ტრიფოლიატა და ბიგარადია. *რ. რამიშვილი.*

საძირკვავი ბულდოზერ-სატვირთველი, ტრაქტორზე საკიდი მანქანა, რ-ის დანიშნულებაა ნიადაგიდან ქვების ამოძირკვა და სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვა, ძირკვებისა და ბუჩქების ამოძირკვა, მინერალური სასუქების, ტორფის, ქვიშის ატმობილებსა და სატრაქტორო მისაბმელებში ჩატვირთვა, ორმოების ამოვსება, ნაკვეთების მოშანდაკება და სხვ. მანქანის საცვლელ მუშა ორგანოებს (საძირკვავ-სატვირთველს, სატვირთავ ჩამჩას და სხვ.) ამონტაჟებენ უნივერს. ჩარჩოზე. ს. ბ.-ს-ს ააგრეგატებენ საშ. სიმძლავრის ტრაქტორზე.

საძირკვავი მანქანა, ძირკვებისა და ხეების საძირკვავი, ქვების მოსაცილებელი მანქანა, რ-საც იყენებენ სამელიორაციო სამუშაოების, გზების მშენებლობისა და ახ. მიწების ათვისების დროს. ს. მ-ს ჰკიდებენ ჰიდრავ. სისტემით აღჭურვილ მძლავრ ტრაქტორზე. მუშა ორგანოებს (უმთავრესად საცვლელს) ამუშავებს ჯალამბარი ან ტრაქტორის ჰიდროსისტემა. სსრკ-ში გამოშვებულია ს. მ-ების პირმოდების განი 1,2—1,4 *მ*-ია. ს. მ-ის მუშა ორგანოს შეუძლია 700 *მმ*-მდე ჩაღრმავება. ძირკვების საძირკვავად სხვა მანქანებსაც იყენებენ.

საძირკველი, შენობის ან ნაგებობის ქვედა (უმეტესად მიწისქვეშა) ნაწილი, რ-იც შენობა-ნაგებობის დატვირთვას გადასცემს ბუნებრივ ან ხელოვნურ ფუძეს. სამრეწვ. და სამოქალაქო ნაგებობათა ს. მთლიანად მიწისქვეშ მდებარეობს (ნახ. 1, ა, გ), სხვა ნაგებობებში კი ს-ის ზედა ნაწილი შეიძლება წყალქვეშ იყოს (ნახ. 1, ბ). ს-ის კონსტრუქციას და მასალას განაპირობებს მშენებლობის ადგილის გეოლ., ჰიდროგეოლ. და კლიმ. პირობები, ნაგებობის დანიშნულება, დატვირთვების სიდიდე და ხასიათი. ს. შეიძლება იყოს ცალკეული (ხიდის საყრდენის, სვეტის, ობელისკისა და მისთ.), ზოლური ანულენტური (კედლის, სვეტების მწკრივის, საყრდენი კედლისა და სხვ.) და მთლიანი (რკინაბეტონის ფილის სახით; იყენებენ სუსტ გრუნტზე დიდი დატვირთვებისას). ს-ის მასალაა ქვაყორე, ბეტონი, რკინაბეტონი, ხე (უმეტესად დროებით ნაგებობებში) და ლითონი (იშვიათად). ფუძეზე გადასაცემი დატვირთვის შესამცირებლად ს-ის ძირს ნაგებობის ტანთან შედარებით უფრო დიდი ზომისას აკეთებენ. ს-ის ზედა ზედაპირს, რ-იც ს-ს შენობისაგან (ნაგებობებისაგან) გამოყოფს, თ ა რ ო ს უწოდებენ, ქვედას, რ-იც ფუძის გრუნტს ეყრდნობა, — ძ ი რ ს, მანძილს თაროდან ძირამდე — ს-ის ს ი მ ა ღ ლ ე ს, ხოლო მანძილს მოშანდაკებული მიწის ზედაპირის ნიშნულიდან ძირამდე — ს-ის ჩ ა ყ რ ი ს ს ი ღ რ მ ე ს (იგი საკმარისი უნდა იყოს ფუძის მდგრადობის უზრუნველსაყოფად). ს. ორგვარია: მცირე (ნახ. 1, ა) და ღრმა (ნახ. 1, ბ) სიღრმისა. თუ გრუნტი მტკიცეა, პირველს იყენებენ, თუ ნაკლებად მტკიცე — მეორეს. ს-ს აყრდნობენ დიდ (ზოგჯერ ათეული მეტრის) სიღრმეზე მდებარე მტკიცე გრუნტს. ღრმა ს-ის ნაირსახეობაა ხიმინჯოვანი და გარსოვანი ს-ები, რ-ებიც ხიმინჯების ან ცილინდრ. რკინაბეტონის თხელკედლიანი გარსების მეშვეობით გადასცემენ დატვირთვებს ღრმად მდებარე მტკიცე გრუნტს (ნახ. 1, გ). ამ სახის ს. მასიურ ღრმა ს-თან შედარებით უფრო ეკონომიურია. აგების ხერხის მიხედვით ს. არის მონოლითური. და ასაწყობი (ნახ. 2). ასაწყობ ს-ს იყენებენ წარმოების ინდუსტრიალიზაციის მიზნით. ს-ს გაიანგარიშებენ *ზღვრული მდგომარეობის* მეთოდით, რ-იც ითვალისწინებს 3 პირობას: 1. ს-ში მოქმედი ძალები არ უნდა აღემატებოდეს მათ საანგარიშო მნიშვნელობებს; 2. ფუძეზე გადაცემული დატვირთვა არ უნდა ჭარბობდეს ფუძის ზიდვის უნარს; 3. ფუძისა და ნაგებობის ერთობლივი დეფორმაცია (დაჯდომა ან დაჯდომათა სხვაობა) არ უნდა იყოს მოცემული ნაგებობისათვის ზღვრულ (დასაშვებ) მნიშვნელობაზე მეტი.

ლიტ.: კერესელიძე დ., გრუნტების მექანიკა, ფუძეები და საძირკვლები, თბ., 1957.

დ. კერესელიძე.

საძოვარი, მცენარეულით დაფარული მიწის სავარგული, სადაც ძოვს ცხოველი. განასხვავებენ ბუნებრივ და ხელოვნურ ს-ს. ბუნებრივი ს-ის მცენარეული საფარი უმთავრესად შედგება მრავალწლოვანი ველური მცენარეების, ზოგჯერ მღიერების (ტუნდრა), ბუჩქ-ბალახისა და ბუჩქისაგან (ტუნდრა, ტრამალი, უდაბნო). ხელოვნური ანუ ნათესი ს. წარმოქმნილია მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი პარკოსან-მარცვლოვანი ბალახთნარევის თესვით (იხ. *კულტურული საძოვარი*). საძოვრული შენახვისას სას.-სამ. ცხოველთა პროდუქტიულობა 25—40%-ით მეტი, პროდუქციის ბარისხი მნიშვნელოვნად მაღალი, ხოლო თვითღირებულება 20—30%-ით ნაკლებია, ვიდრე ბაგური შენახვის დროს. ს-ზე ცხოველებს მაშინ უშვებენ, როდესაც მცენარე ვეგეტაციის ადრეულ ფაზაშია და საყუთო ნივთიერებებს უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს.

საძოვრების ძედი, ქედი კავკასიონის ჩრდ. კალთის დას. და ცენტრ. ნაწილში. გაღაჭიმულია კლდოვანი ქედის ჩრდ-ით. კუესტური ხასიათისაა. სიგრძე დაახლ. 400 *კმ*. სიმაღლე 1200—1500 *მ*-მდე. თხემური ნაწილი აგებულია ზედაცარცული კირქვებით. ს. ძ-ის სისტემაში შედის ბორღუსტანისა და ჯინალის ქედები (კურ. კისლოვოდსკის მიდამოებში).

საძოვრის ტკივისებრნი, *იქსოდისებრი ტკიპების* მოძველებული სახელწოდება.

საძროხე, ფერმის ძირითადი შენობა, განკუთვნილი ფურების შესანახად. განასხვავებენ ს-ებს დაბმულად და დაუბმელად შენახვისათვის. დ ა ბ მ უ ლ ა დ შ ე ნ ა ხ ვ ი ს ა თ ვ ი ს განკუთვნილ ს-ებში ფურის სადგომები კეთდება 2, 4 და 6 რიგად, რიგები განლაგებულია შენობის გასწვრივ და გარდიგარდმო გასასველებით დაფოფილია სექციებად. ისეთ ს-ებსაც აშენებენ, რ-ებშიც ფურის სადგომები განლაგებულია გარდიგარდმო. სადგომის წინ მოთავსებულია საბმური, საკვებური და სარწყულებელი. სადგომის სიგრძეა 1,7—2,0 *მ*, სიგანე — 1,0—1,2 *მ*, მ. შ. ზოგჯერ კეთდება მოკლე ტიხრები (ბაგის სიგრძის 1/3 ან 1/2). ს-ზე მიშენებულია დამხმარე სათავსები: საფურაჟე (თუ ფერმაში არ არის საკვები საამქრო), გასათბობი (როცა არ არის ცენტრ. გათბობა), მომსახურე პერსონალის ოთახი. ს-ს შეიძლება მიაშენონ სარძეო ბლოკი. ს-ის ახლოს ეწყობა სეირანი. დ ა უ ბ მ ე ლ ა დ შ ე ნ ა ხ ვ ი ს ს-ის შენობა ტიხრებით იყოფა სექციებად. ყოველი სექცია გაანგარიშებულია 60-მდ ფურისათვის. მექანიზებული წესით საკ ვებისა და საფენის მისაზიდად, აგრეთვ ნაკელის გასატანად სექციის მთელ სიგრ ძეზე აკეთებენ გასასვლელებს. ს-ს ეკვრი სეირანი, სადაც მოწყობილია ჯგუფურ საკვებურები და სარწყულებლები. ს-თა აგებენ *საწველ დარბაზს*. მეცხოველეობი პროდუქტების წარმოების ახ. ტექნოლოგი აზე გადასვლასთან დაკავშირებით, სა რეწვ. საფუძვლებზე რძის წარმოებისათვი ბევრ რ-ნში აშენებენ მსხვილ სპეციალი ზებულ კომპლექსებს, რ-ებიც მოიცავ ფურების შესანახ რამდენიმე შენობას, სარ ძეო ბლოკს, დამხმარე სათავსებს, სადა ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზ ებულია. *ნ. გოცირიძე.*

საძროხე, მთა თუშეთ-ხევსურეთის კავ კასიონზე, მდ. ხისოს ალაზნის სათავეში სიმაღლე 2852 *მ*. აგებულია იურული თიხა ფიქლებითა და ქვიშაქვებით. მთის კალ თები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდე ლობით.

საძაბლე, სოფელი ზესტაფონის რ-ნში (შროშის სოფსაბჭო), იმერეთის მაღლობ ზე. ზ. დ. 550 *მ*, ზესტაფონიდან 25 *კმ* ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ. 12 *კმ*. შროშის მევენახეობა-მეცხოველეო ბის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ სკოლა და სკოლა-ინტერნატი სოფ შროშაში (7 *კმ*). საფერშლო პუნქტი.

საობაჯიკე, მთა რაჭის ქედზე. სიმაღლე 1996 *მ*. აგებულია ცარცული ასაკის კირ ქვებითა და გადოლომიტებული კირქვე ბით. ჩრდ.-დას. კალთა დამრეცია და თანა ბარი დახრილობით ეშვება შაორის ქვა ბულისაკენ. ახასიათებს რელიეფის კარს ტული ფორმები. შემოსილია სუბალპ. მცე ნარეულობით. მთის ძირას საწალიკეს უღელტეხილია. *ს ნემსანიშვილი.*

საოსარძღვნლო ქალაქი, იხ. *ფასისი ქალაქი.*

საოსარმოო ბრიგადა, ერთნაირი ან სხვა დასხვა პროფესიის მუშათა კოლექტივი, რ-ის წევრები ერთად ასრულებენ საწარმოო დავალებას და ერთად აგებენ პასუხს მუშაობის შედეგებისათვის. ბრიგადული შრომის ორგანიზაცია იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა საწარმოო დავალების შესრულება მოითხოვს მასში რამდენიმე მუშის ერთად მონაწილეობას შრომის კოოპ. და დანაწილების ფორმებისა და მუშათა პროფ. შემადგენლობის მიხედვით ს. ბ. შეიძლება იყოს სპეციალიზებული ან კომპლექსური

ს პ ე ც ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ს ბ. შედგება ერთი პროფესიის მუშებისაგან, რ-ებიც ერთგვაროვან ტექნოლ. პროცესებს ასრულებენ (მაგ., მეყალიბეთა ბრიგადა სამსხმელო საამქროში)

კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი ს. ბ. ყალიბდება ტექნოლოგიურად განსხვავებული სამუშაოების კომპლექსის შესასრულებლად სხვადასხვა პროფესიის მუშებისაგან.

ს. ბ. ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა და პირველადი საწარმოო ერთეული ა. *წერეთელი.*

საოსარმოო გაერთიანება, კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი, ერთიანი სპეციალიზებული საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი; აერთიანებს იმ ფაბრიკებს, ქარხნებს, სამეცნიერო-კვლევითს, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებს, რ-თაც აქვთ საწარმოო ურთიერთკავშირი და ერთიანი ცენტრალიზებული დამხმარე და მომსახურე წარმოება. ს. ბ., როგორც მრეწვ. ძირითადი საწარმოო რგოლი (საწარმოსთან ერთად), იყენებს თავისი ოპერატიული მართვისათვის ან სარგებლობისათვის გამოყოფილ სახელმწ. ქონებას, იგი გაერთიანების კოლექტივის ძალებითა და ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობით ახორციელებს თავის საქმიანობას სახ.-სამ. გეგმასა და სამეურნეო ანგარიშის

ზუძველზე; მას აქვს დამოუკიდებელი ლანსი და წარმოადგენს იურიდ. პირს. სამეცნ.-ტექ. რევ. და პროდუქციის წარების ზრდის თანამედროვე მასშტაბების რობებში გაერთიანებათა შექმნა უზრუნყოფს მასში შემავალ საწარმოთა ეკონ. ნსოლიდაციას და ერთიანი საწარმოო ზეურნეო კომპლექსების შექმნას. ს. მ-ს ვს წარმოების რაციონალური ორგანიციის, მომარაგებისა და გასაღების პრომისა და ერთიანი ტექ. პოლიტიკის გატაების დიდი შესაძლებლობანი, ამიტომ ერთიანებათა შექმნა მიმდინარეობს რაფი ტემპით.

ჩვენს ქვეყანაში პირველი გაერთიანების შექმნა დაიწყო 1960-იანი წლებიან ფირმების სახით. 1970 წ. 608 გაერიანება იყო, 1979 კი 3857. 1981 საქარველოში იყო 121, 1985 იანვ-თვის—106 წარმოო და საწარმოო-სამეცნ. გაერიანება, რ-ებშიც შედიოდა 436 დამოუკიებელი საწარმო. საზღვარგარეთის ციალ. ქვეყნებში ს. მ-ის ტიპის იმპლექსები მოიცავს დარგებსა და ქვეარვებს და იქმნება წარმოების ტექნოლ. რთგვაროვნების, ერთიანი სანედლეულო ზის ან ტექნოლ. პროცესების თანამიმეერობის პრინციპით. *ვ. ლობჟანიძე.*

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲐ, 1. ტექნიკური ითეტიკის დარგი, რ-იც შეისწავლის სამეწველო საწარმოში საწარმოო გარემოს ითეტიკური ორგანიზაციის თავისებურებებსა და მისი ფორმირების კანონზომიერებებს. 2. საწარმოო გარემოს ესთეტიკური ორგანიზაციის პრაქტ. ღონისძიებათა იმპლექსი (ინტერიერის არქიტ.-მხატვრული გადაწყვეტა, ოპტიმ. მიკროკლიმატის შექმნა, სამრეწვ. მოწყობილობის ხატვრული კონსტრუირება, ტერიტ. კეილმოწყობა, გამწვანება და სხვ.).

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ, მ უ დ მ ი ვ მ ო ქ ე დ ი ს ა წ ა რ მ ო ო თ ა თ ბ ი რ ი მ მ ს თ), სოციალისტური დემოკრატიის, ზოგადებრივი კონტროლის, წარმოების ართვაში მშრომელთა მასების პრაქტიულად ჩაბმის ერთ-ერთი ფორმა სსრკ-ში, უნქციონირებს 1958-იდან. ს. მ-ის მოქედი დებულება დამტკიცებულია სსრკს მინისტრთა საბჭოსა და საკავშ. პროფბჭოს 1973 წ. 18 ივლ. დადგენილებით. ს. მ. იქმნება მრეწვ., ტრანსპ. საწარმოები (საწარმოო გაერთიანებები, კომბინაები), სამშენებლო, სამეცნ.-კვლ., საპოექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და მათ სტრუქტ. ქვეგანყ-ებებში (სამჭროები, უბნები, ლაბორატორიები), ადაც მუშაობს არანაკლებ 300 მუშაკისა, გრეთვე სოფ. მეურნ., კავშირგაბმ., ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების აწარმოებსა და მათ სტრუქტურულ ქვეანყ-ებებში, სადაც 100 და უფრო მეტი მოუშაება. ს. მ-ის რაოდენობრივ შემადგენობას განსაზღვრავს მუშა-მოსამსახურეა საერთო კრება (კონფერენცია).

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ, სამრეწველო კაიტალის ფუნქციური ფორმა და მისი წრერუნვის მეორე სტადია (იხ. *კაპიალის წრებრუნვა და ბრუნვა*). ს. ფუნქციონირებს წარმოების სფეროში. ისი მთავარი ფუნქციაა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ი ს ა და ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შექმნა. თავისი ნატურალური ორმით ს. კ. შედგება წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს ა და ს ა მ უ შ ა ო ა ლ ი ს ა გ ა ნ, რ-ებიც ღირებულების ბრდის პროცესში ერთნაირ როლს არ ასრულებენ ამ თვალსაზრისით ს. კ იყოფა შუდმივ და ცვალებად კაპიტალად ს. მ-ის განსხვავებული ელემენტი პრუნვის ანსიათის თვალსაზრისით იყოფა ძირითად და ბრუნვად კაპიტალად (იხ. *კაპიტალი*). კაპიტალიზმის ეკონომიკის ღირსებისათვისაა ხიდვა-გაყიდვის ქვეშ წარმოების საშუალებებთან სამუშაო ძალის შეერთება. როგორც წარმოების საშუალებები, ისე სამუშაო ძალა ხდება *ათანსირებული კაპიტალის* ნივთიერი მატარებელი და *სამრეწველო კაპიტალის* არსებობის ფორმა. კაპიტალ. წარმოების პროცესში იქმნება ახ. საქონელი, რ-ის ღირებულება აღემატება თავდაპირველად ავანსირებულ კაპიტალს. ვინაიდან იგი შეიცავს ზედმეტ ღირებულებასაც. *ი. მესხია.*

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘ ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი, კოოპერაციის სახე, რ-იც აერთიანებს სოფლის მწარმოებლებს მიწის ერთობლივად დამუშაების, მანქანა-იარაღების გამოყენების ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის. ს. კ. დამყარებულია წარმოების საშუალებასა და შრომის ნაწილობრივ ან მთლიან განსაზოგადოებაზე. ს. კ-ის აღმოცენებას წინ უძღოდა სოფლის კოოპერატივების სხვა სახეობების (გამსაღებლების, მომმარაგებლებისა და სხვ.) განვითარება. ისტორიულად ს. კ-ის განვითარება მიმდინარეობდა მარტივი (დაბალი) ფორმებიდან უფრო რთული და მაღალი ფორმებისაკენ. დაბალი ფორმის ს. კ. ხასიათდება შრომის მხოლოდ ნაწილობრივი განსაზოგადოებით, რთული — შრომისა და წარმოების საშუალებებზე საკუთრების ნაწილობრივი განსაზოგადოებით, ხოლო მაღალი— შრომისა და წარმოების ძირითად საშუალებებზე (მიწა, მანქანები, მსხვილი პროდუქტიული პირუტყვი, სამეურნეო ნაგებობანი) საკუთრების სრული განსაზოგადოებით (იხ. *კოოპერაციული საკუთრება*).

განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში ს. კ. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში აღმოცენდა. მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ. უფრო მეტად განვითარდა იგი XX ს. 60-იანი წლების დასასრულს საფრანგეთში, გერმ. ფედერ. რესპუბლიკაში, იტალიაში, ესპანეთში, იაპონიაში.

ს. კ. კაპიტალიზმის დროს აერთიანებს სოფლის სხვადასხვა სოც. ფენას. ზოგჯერ თავს იჩენს წინააღმდეგობა კოოპერატორებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის. *სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის* ეპოქაში, ს. კ. ხშირად მონოპ. კაპიტალის დანამატად, სოფლის მეურნეობაში მონოპოლიის ეკონ. ბატონობის საშუალებად იქცევა. მიუხედავად ამისა, კაპიტალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები მხარს უჭერენ ს. კ-ში გაერთ. წვრილ და საშ. გლეხობას და იბრძვიან იმისათვის, რომ დემოკრ. და ანტიმონოპ. ხასიათი მიანიჭონ კოოპ. მოძრაობას.

ს. კ. ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს დ რ ო ს. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კერძო წვრილი საქონელწარმოების სოციალ. გარდაქმნა მისი კოოპერირების გზით შეადგენს ვ. ი. ლენინის კოოპ. გეგმის არსს, რ-ის კონკრ. ხორციშესხმა სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში გლეხებისა და სხვა წვრილი მწარმოებლების საწარმოო კოოპერირება იყო (იხ. *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია*). სსრკ-ში ს. კ-ის განვითარება მიწის ნაციონალიზაციის პირობებში განხორციელდა.






საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში (გარდა მონღოლეთისა, სადაც მიწის ნაციონალიზაცია გატარდა) ს. კ-ის განვითარება განხორციელდა მიწაზე გლეხთა წვრილი კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში. საწარმოო კოოპერირების პროცესში შეიქმნა წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების დონისა და პროდუქციის განაწილების წესის მიხედვით ერომანეთისაგან განსხვავებული ს. კ-ის სამი ძირითადი ფორმა. 1. მიწის ერთობლივად დამუშაების კოოპერატივები (ТОЗ), 2 კოოპერატივები, რ-თა დამახასიათებელია წარმოების ძირითად საშუალებებზე (გარდა მიწისა) საზ საკუთრებისა და შემოსავლის განაწილება მიწის საპაიო ოდენობის მიხედვით 3 კოოპერატივები, რ-თა დამახასიათებელია მიწისა და ძირითადი წარმოების საშუალებების სრული განსაზოგადოება. პირველი ფორმის კოოპერატივებში მიწა ერთობლივად მუშავდება, ხოლო შემოსავალი ნაწილდება კოოპერატივის ამა თუ იმ წევრის საკუთრებაში არსებული მიწის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მეორე ფორმის კოოპერატივებში შემოსავალთა ძირითადი ნაწილი ნაწილდება დახარჯული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ნაწილისა — კოოპერატივში შეტანილი მიწის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მესამე ფორმის კოოპერატივებში მთელი შემოსავლის განაწილება ხდება მხოლოდ დახარჯული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით. სოციალ. ქვეყნებში თითქმის ყველგან დამთავრებულია ს. კ-ის უმაღლეს ფორმაში გადასვლის პროცესი. ბულგ. სრ-ში, ჩეხოსლ. სრ-ში, მონღ. სრ-ში, კორეის სდრ-ში დამკვიდრდა საწარმოო კოოპერირების მესამე ფორმა; ბევრ ქვეყანაში, კერძოდ, გდრ-ში, სამივე ფორმა არსებობს.

სოციალ. ქვეყნებში ს. კ-ებს უკავია ძირითადი ადგილი სას.-სამ. წარმოებაში. პოლონეთსა და იუგოსლავიაში სას.-სამ. წარმოების ძირითად ფორმად წვრილი ინდივიდ. გლეხური მიწათმფლობელობა რჩება. მიუხედავად ამისა, პოლ. სრ-ში ფართოდ გავრცელდა მომარაგება-გასაღების, საკრედიტო და სხვა კოოპერატივები, რ-ებიც ემსახურებიან სას.-სამ. წარმოებას. მათ წილად მოდის საცალო ვაჭრობის ბრუნვის 50%-ზე მეტი და სოფ. მეურნ. პროდუქციის გასაღების 75%.






ს. კ. შედგება საწარმოო ქვედანაყოფებისაგან (ბრიგადები, უბნები და ა. შ.), რ-ებზეც მიმაგრებულია მიწა, მანქანები, ინვენტარი და წარმოების სხვა საშუალებანი. განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში კოოპერატივი უმთავრესად მიმოქცევის სფეროს მოიცავს. 60-იანი წლებიდან ბევრ ქვეყანაში (მაგ., ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ალჟირი, ეგვ. არაბთა რესპ.) დაიწყო ს. კ-ის აღმოცენება და განვითარება. ზოგიერთ ქვეყანაში ს. კ. ვითარდება სახელმწიფოს პირდაპირი ზეგავლენით. მაგ., ეგვ. არაბთა რესპუბლიკაში გლეხებმა სახელმწიფოსაგან მიწის მიღებისთანავე ს. კ-ებში გაერთიანების ვალდებულება იკისრეს. ს. კ. უფრო მეტად ერცელდება იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრ. აგრ. რეფორმები ტარდება. მრავალ განვითარებად ქვეყანაში ს. კ-ს, როგორც მსხვილ სას.-სამ. წარმოების ფორმას, უკავშირდება დამოუკიდებელი ეკონ. განვითარების პრობლემის გადაწყვეტა.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კოოპერაციის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33; В е н ж е р В. Г., Колхозный строй на современном этапе, [М.], 1966; Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление, [М.], 1969; О с а д ь к о М. П., Кооперативная форма сельскохозяйственного производства при социализме, М., 1963; Примерный устав колхоза, М., 1969; С т а р о д у б р о в с к а я В. Н., Кооперативная собственность в сельском хозяйстве социалистических стран, М., 1970; Т р а п е з н и к о в С. П., Ленинизм и аграрно-крестьянский вопрос, т. 1—2, М., 1976. *ს. მოსიძე.*

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ, ნედლეული, მასალა, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და საკომპლექტო ნაწარმი, სათბობი, ინსტრუმენტი და წარმოების სხვა საშუალებანი, რ-ებიც შესულია მომზმარებელ საწარმოში და არ არის გადაცემული სამუშაო ადგილებზე. ს. მ-ის დაგეგმვა და რეგულირება მიზნად ისახავს მის შემცირებას იმ მაცულობამდე, რამდენიც საჭიროა რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დასაჩქარებლად. წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. მისი შექმნისა და დანიშნულების ფაქტორების მიხედვით განასხვაებენ მიმდინარე, სადაზღვევო და მოსამზადებელ მარაგს. მ ი მ დ ი ნ ა რ ე

საძირკველი. ნახ. 1. მცირე სიღრმის მონოლითური საძირკვლები: ა—ლენტური, კედლისა; ბ—ლენტური,სვეტებისა; გ—ცალკეული სვეტისა; დ—ფილის სახისა, სვეტებისათვის; 1—რკინაბეტონის ქვედა ლენტი; 2—საძირკვლის კედელი; 3—სვეტი.

ნახ. 2. ასაწყობი საძირკვლები: ა—ლენტური, კედლისა; ბ—წყვეტილი, კედლისა; გ—ჭიქური, სვეტისა; დ—შედგენილი, სვეტისა; 1—შენობის კედელი; 2 — საკედლე საძირკვლის ბლოკი; 3—ბლოკ-ბალიში; 4 — სვეტი.

მარაგი უზრუნველყოფს წარმოების უწყვეტობას საწყობში და მასალის ორ მარიგ გაგზავნათა შორის პერიოდში და განისაზღვრება წარმოებაში მისი ყოველდღიური მოხმარების სიდიდით. სადაზღვევო მარაგი გამიზნულია წარმოების შეუფერხებელი მომარაგებისათვის გაგზავნის გრაფიკის დარღვევის ან მისი შეფერხების შემთხვევაში; მოსამზადებელი მარაგი იქმნება მომარაგების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. მოსამზადებელი მარაგი ჩვეულებრივ 3 დღეს არ აღემატება.

საწარმოო მარკა, ნაკეთობაზე ან მის საფუთარზე აღნიშნული ნიშანი, რ-იც მის დამამზადებელზე მიუთითებს. ს. მ. შეიცავს საწარმოს სრულ ან შეძოკლებულ დასახელებას, ცნობებს საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ, მმართველობის იმ ორგანოს დასახელებას, რ-ის სისტემაშიც შედის იგი, მიუთითებს საქონლის ხარისხსა და სტანდარტის ნომერზე, რ-საც პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს. ს. მ. ზრდის საწარმოს პასუხისმგებლობას. იგი *სასაქონლო ნიშნისაგან* დამოუკიდებელია და რეგისტრაციაში არ ტარდება. სსრკ-ში სავალდებულოა ს. მ-ის აღნიშვნა ყველა სახის საქონელზე. საქონელზე ს. მ-ის უქონლობის ან არასწორი მარკირებისათვის პასუხს აგებენ საწარმოს ხელმძღვანელები დისციპლინური ან სისხლის სამართ. წესით.

საწარმოო (მწარმოებლური) მოხმარება, წარმოების საშუალებებისა და ადამიანის სამუშაო ძალის მოხმარება წარმოების პროცესში, ე. ი. თვით წარმოების პროცესი. იხ. აგრეთვე *მოხმარება.*

საწარმოო პროგრამა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი განსაზღვრული ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებათა სისტემა; დგება სახ. მეურნ., დარგის, საწარმოს (გაერთიანების) და მისი შიდასაწარმოო რგოლების მიხედვით 5-წლიანი და 1-წლიანი გეგმების სახით. ს. პ-ის დამუშავება ემყარება სახ. მეურნ. და მოსახლეობისათვის განკუთვნილ პროდუქციაზე მოთხოვნილების გამოვლინებასა და წარმოების მატერ., შრომითი და ფინანს. რესურსებით უზრუნველყოფის დასაბუთებას. ს. პ-ის შემუშავების ძირითადი მეთოდია დაგეგმვის საბალანსო მეთოდი.

ს. პ-ის დაგეგმვის მთავარი ფორმა და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის საფუძველია ხუთწლიან გეგმა-დავალებათა წლების მიხედვით დანაწილება. ხუთწლიანი და წლიური ს. პ-ის შემუშავების საფუძველია მეცნიერულად დასაბუთებული ტექ.-ეკონ. ნორმებისა და ნორმატივების სისტემა, რ-იც არსებობს სამუშაოთა სახეების, შრომის დანახარჯების, ნედლეულის, მასალისა და სათბობენერგეტ. რესურსების დანახარჯების, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და ხელმრითი კაპიტ. დაბანდების მიხედვით.

სამრეწვ. სამინისტროებს, გაერთიანებებსა და საწარმოებს ხუთწლიან გეგმებში წარმოების ხაზით უმტკიცდებათ: წმინდა (ნორმატიული) პროდუქციის, ხოლო ცალკეულ დარგებს — სასაქონლო პროდუქციის ზრდის მაჩვენებლები შესადარი ფასებით; ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოსახულებით, მ. შ. საექსპორტო პროდუქციისა; ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების ზრდა ან პროდუქციის ხარისხის სხვა მაჩვენებელი, რ-იც დადგენილია ამ დარგისათვის. წლიური ს. პ. აკონკრეტებს, ცალკეულ შემთხვევებში კი აზუსტებს ხუთწლედის შესაბამისი წლისათვის დადგენილ დავალებებს. *ვ. ლობჟანიძე.*

საწარმოო პროფკავშირების კონგრესი (სპკ), 1935—55 საწარმოო პრინციპის მიხედვით აგებული ამერიკელი მუშების პროფესიული გაერთიანება. 1949 სპკ პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციიდან გამოვიდა, ხოლო 1955 შეერწყა *ამერიკის შრომის ფედერაციას* (აშფ) და შექმნა *ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირების კონგრესი.*

საწარმოო სიმძლავრე მრეწველობის დარგისა, საწარმოს ან მისი ქვედანაყოფის მიერ მაქსიმალურად შესაძლებელი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ან მათ მიერ გადამუშავებული ნედლეულის მოცულობა დროის ერთეულში (ჩვეულებრივ წლის განმავლობაში). ს. ს. განისაზღვრება გეგმით დაწესებული პროდუქციის ნომენკლატურისა და რაოდენობის მიხედვით, საწარმოო მოწყობილობის, ფართობების, მოწინავე ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის რაც შეიძლება სრულად გამოყენების გათვალისწინებით. საწარმოს ს. ს. გაიანგარიშება გეგმით დაწესებული პროდუქციის მიხედვით ნატურალურ ერთეულებში (ცალი, ტონა და ა. შ.). მოწყობილობის წამყვანი ჯგუფის სიმძლავრის მიხედვით განისაზღვრება უბნის სიმძლავრე, წამყვანი უბნის სიმძლავრის მიხედვით — საამქროს სიმძლავრე, წამყვანი საამქროს სიმძლავრის მიხედვით — საწარმოს სიმძლავრე. ცალკეულ საწარმოთა სიმძლავრეების ჯამი ერთი და იმავე სახის პროდუქციის მიხედვით გვაძლევს დარგის ს. ს-ს მოცემული სახის პროდუქციაზე.

ს. ს-ის გაანგარიშების ამოსავალი მონაცემებია: *ძირითადი წარმოებითი ფონდები,* მოწყობილობათა მუშაობის რეჟიმი, მოწყობილობის მწარმოებლურობა და ნაწარმის შრომატევადობის პროგრ. ნორმები, მუშების კვალიფიკაცია.

თუ ცნობილია მოწყობილობის მწარმოებლურობა, ს. ს. განისაზღვრება დროის ერთეულში მოწყობილობის საპასპორტო მწარმოებლურობისა და მისი მუშაობის გეგმური დროის ფონდის გადამრავლებით.

ს. ს. დინამ. სიდიდეა და იცვლება ტექ. განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მომუშავეთა კულტ.-ტექ. დონის ამაღლების კვალობაზე. ს. ს-ის გამოყენების დონეს ახასიათებს სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი, რ-იც მიიღება წელიწადში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შეფარდებით მოცემული წლის საშ. წლიურ სიმძლავრესთან. *ა. წერეთელი.*

საწარმოო სტრუქტურა სამრეწველო საწარმოსი (გაერთიანებისა), საწარმოო ქვედანაყოფების კომპლექსი, რ-იც ასახავს თავისი საამქროებისა და საწარმოო უბნების დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის დონეს და გამოხატავს საწარმოს მთლიან მოცულობაში ცალკეული შიდასაწარმოო რგოლის პროცენტულ თანაფარდობას.

მრეწვ. სხვადასხვა საწარმოს ს. ს-ის განსხვავებას განაპირობებს პროდუქციის წარმოების სირთულე, მასშტაბი და მისი დამზადების ტექნოლოგია, წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კოოპ. დონე და სხვა ფაქტორები.

წარმოების პროცესის ყოველი სტადია ორგანიზაციულად ფორმდება შესაბამის სტრუქტურულ ქვეგანყ-ბაში. წარმოების ორგანიზაციის პირველადი რგოლია სამუშაო ადგილი, რ-იც ერთიანდება საწარმოო უბნებში. ეს უკანასკნელი კი — საამქროებში.

სოციალ. მრეწვ. პრაქტიკაში გამოიყენება საწარმოს, საამქროებისა და საწარმოო უბნების ს. ს-ის აგების სამი ფორმა: ტექნოლ., საგნობრივი და შერეული.

ს. ს. იქმნება ახ. საწარმოთა მშენებლობის, მოქმედი ფ-კა-ქ-ნების რეკონსტრუქციისა და მათი წარმოების პროფილის ცვლილების, მოწყობილობათა გადაადგილებისა და ახლად დაგეგმარების, აგრეთვე, წარმოების ამა თუ იმ უბნის ხელახალ აღჭურვის დროს.

საწარმოო სფერო, იხ. *მატერიალური წარმოების სფერო.*

საწარმოო სწავლება, პრაქტიკული და თეორიული სწავლება არჩეული პროფესიის მიხედვით წარმოებრივი საქმიანობ დროს. 1. *პროფესიულ-ტექნიკური განათლების* (სასწ. დროის 50%) და *საშუალო სპეციალური განათლების* (სას დროის 20 — 30%) შემადგენელი ნაწ ლი. 2. მუშების მომზადება და მაღ კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ წარმოში ინდივიდ.-ბრიგადული სწავლ ების გზით ან სპეც. მოკლევადიან (რ გორც წესი, 6-თვიან) კურსებზე. ს. ტარდება ოსტატთა, ინსტრუქტორთა ხელ მძღვანელობით. საკვალიფიკაციო გამო დებისა და სამუშაოების ჩატარების შემდ ახალგაზრდები იღებენ სატარიფო-საკვ ლიფიკაციო განრიგს, კლასს, წოდებას მისთ.

საწარმოო ტანვარჯიში, უმარტივეს ფიზიკური ვარჯიშის კომპლექსი, რ-ი შედის სამუშაო დღის რეჟიმში მშრომელ ების შრომისუნარიანობის ასამაღლებლა და დაღლილობის თავიდან ასაცილებლა ს. ტ-ის შერჩევისას ითვალისწინებ შრომითი პროცესის თავისებურებებს. პრა ტიკაში დაინერგა ს. ტ-ის 2 ფორმა: გ მამხნევებელი ვარჯიში, რ-იც ამზადებ ადამიანს სამუშაო დღისათვის, და ფი კულტ. პაუზა (აქტ. დასვენება).

საწარმოო-ტერიტორიული კავშირ ურთიერთკავშირი, რ-იც საწარმოო ე თეულებს (საწარმოებს, საწარმოთა ჯგ ფებს, დარგებს, ეკონომიკური რაიონ ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსებ შორის მყარდება მათი ფუნქციონირებ პროცესში. ტერიტ. შრომის დანაწილებ გაღრმავებამ გაართულა ს.-ტ. კ., ამა თან მოახდინა მისი დიფერენციაცია. სა მეურნ. ყოველ დარგში (მრეწველობ სოფ. მეურნეობა) ყალიბდება ს.-ტ კ-ის თავისებური სისტემები, რ-ებიც მეტ წილად განპირობებულია წარმოებ პროცესისა და პროდუქციის რეალიზაცი თავისებურებებით. საწარმოო-ტერიტ. ერ თეულების (რ-ნების) ს.-ტ. კ. ასახავ მათი განვითარების ბუნებრივ-ეკონ. პ რობების თავისებურებებს, აგრეთვე ერთეულების საწარმოო სტრუქტურას სსრკ-ში ს.-ტ. კ. ხორციელდება ერთიან სახ. მეურნ. გეგმით. ამ კავშირის ოპტიმ ლობის საზომია წარმოებაზე გაწეულ ერთობლივი სახალხომეურნეობრივი დან ხარჯებისა და მომხმარებლებამდე პრო დუქციის მიტანის დანახარჯების მინიმ მი სახელმწ. გეგმით დადგენილი საწარმო შედეგების მიღების პირობებში.

ს.-ტ. კ-ის ფორმირება იწყება საწარმ დან (გაერთიანებიდან). საწარმოთა კავ შირს შეიძლება ჰქონდეს შიდარაიონულ (ადგილ.) და რაიონთაშორისი ხასიათ (იხ. *რაიონთაშორისი ეკონომიკური კავ შირი*).

სოციალ. ქ.ყნებში ს.-ტ. კ-ის შესწავ ლა საშუალებას იძლევა დაწესდეს სწორ დარგობრივი და ტერიტ. პროპორციებ ოპტიმალურად განვითარდეს და განლაგ დეს წარმოება. სსრკ-ის პერსპექტიულ დ მიმდინარე სახ. მეურნეობის გეგმებში და სახულია სათანადო ღონისძიებები არარა ციონალური ს.-ტ. კ-ის აღმოსაფხვრელად.

კაპიტალ. ქვეყნებში ს.-ტ. კ. განი საზღვრება საბაზრო კონიუნქტურით დ იგი სტიქიური ხასიათისაა.

კ. კოსტანიშვილი

საწარმოო ფონდები, საწარმოს (გაერთიანების) შრომის საშუალებები და შრომის საგნები, რ-ებიც აუცილებელია მატერიალური წარმოებისათვის. ს. შ. წარმოების პროცესში მათი როლისა და ახლად შექმნილ პროდუქციაზე ღირებულების გადატანის ფორმების მიხედვით იყოფა ძი

ითად და საბრუნავ ფონდებად (იხ. აგრეთვე სტ. *წარმოებითი ფონდები*).

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲑᲐᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲜᲕᲐ, იხ. *წარმოებითი ფონდების ბრუნვა, წარმოებითი ფონდების წრებრუნვა.*

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ, დროის ის მონაკვეთი, რ-ის განმავლობაში შრომის საგნები განიცდის დამუშავებას ნაკეთობის სამზადების დაწყებიდან მზა პროდუქტის მოშვებამდე (ერთი სამრეწვ. საწარმოს ფარგლებში). ს. Ც. მოიცავს სამუშაო პერიოდს და წარმოებაში შესვენებათა ხანგრძლივობას, რ-ებიც განპირობებულია ბიზ., ქიმ., ბიოლ. (ბუნებრივი) პროცესებით (მაგ., ტყავის თრიმლვა და სხვ.) შრომის საგნების ბუნებით, ტექნოლოგიით, ან წარმოების ორგანიზაციით. ს. წარმოების დროის ნაწილია და მისგან განსხვავდება იმ პერიოდით, რ-ის განმავლობაშიც შრომის საგნები საწარმოო მარაგებია. ს. Ც. აჩქარებს პროდუქციის გამოშვებას და ხელს უწყობს საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენებას, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებას (სოციალიზმის დროს), კაპიტალის წრებრუნვის (კაპიტალიზმის დროს). ს. Ც-ის შემცირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოწინავე ტექნოლ. დანერგვა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ, წარმოების საშუალებებისა და იმ ადამიანების ერთობლიობა, რ-ებსაც ისინი მოქმედებაში მოჰყავს. ს. ძ-ის ნივთობრივ ნაწილს და, უპირველეს ყოვლისა, შრომის საშუალებებს (შრომის იარაღები, საწარმოო შენობები, რკინიგზები, არხები, მილსადენები და ა. შ.) დამიანი იყენებს შრომის საგნებზე ზემოქმედებისათვის. ს. ძ-ის განმსაზღვრელი ნივთობრივი ელემენტია წარმოების იარაღები. მთავარი საწარმოო ძალაა შრომელი ადამიანი, რ-საც თავისი გამომდინარეობისა და ცოდნის საფუძველზე მოქმედებაში მოჰყავს *წარმოების საშუალებები*. ადამიანები ქმნიან წარმოების იარაღებსაც და თავიანთ ისტორიასაც. ლენინი წერდა: „მთელი კაცობრიობის პირველი საწარმოო ძალაა მუშა, მშრომელი“ (თხზ., მე-4 გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 422). ს. ძ-ის განვითარების დონე გამოიხატება ბუნების ძალებსა და საგნებზე ადამიანთა ბატონობის სიდიდით. მატერ.-ფასეულობათა შექმნისას ადამიანები ავითარებენ და სრულყოფენ შრომის საგნებს, ქმნიან ახ. მანქანებს, ხელსაწყოებს, უფრო სრულად ითვისებენ ბუნებრივ სიმდიდრეებს. ამის შედეგად კი განუწყვეტლივ ვითარდება ს. ძ. თანამედროვე პირობებში *სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის* გავლენით არსებითი ცვლილებები ხდება ს. ძ-ის სტრუქტურულ შეგადგენლობაში. ს. ძ-ის განვითარება შესამჩნევ გავლენას ახდენს *წარმოებით ურთიერთობაზე*. მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე წინააღმდეგობაშია არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან, რაც ანტაგონისტურ საზოგადოებაში კონფლიქტის სახეს იღებს და გადაჭრება სოც.-რევ. გზით. სოციალიზმის პირობებში აღმოცენებული წინააღმდეგობა ს. ძ-სა და წარმოებით ურთიერთობებს შორის არაანტაგონისტურია და გადაჭრება გეგმაზომიერად (წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის გზით). კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ს. ძ-ის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნ.-ტექ. მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, იხ., 1974; მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, თბ., 1953; ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; Ленин В. И., Замечания на книгу Н. И. Бухарина «Экономика переходного периода», Ленинский сборник, т. 11, М.—Л., 1929; Марахов В. Г., Структура и развитие производительных сил социалистического общества, М., 1970.

ი. მესხია.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ, წარმოების ნივთობრივი კომპონენტებისა და შრომითი რესურსების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნების ტერიტორიაზე და მათ ეკონომიკურ რაიონებში. ს. ძ. გ-ის ხასიათი განისაზღვრება გაბატონებული *წარმოების წესით* და ამიტომ ყოველ სოც.-ეკონ. ფორმაციას შეესაბამება საზ. წარმოების ტერიტ. ორგანიზაციის განსაზღვრული სისტემა, ს. ძ. გ-ის განსაზღვრული ტიპი.

კაპიტალიზმის პირობებში ს. ძ. გ. სტიქიურად მიმდინარეობს და ანტაგონისტური ხასიათისაა. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პერიოდში წარმოების გაადგილების პრობლემა არსებითად დაიყვანებოდა კაპიტალისტისათვის ხელსაყრელი ცალკეული საწარმოს მშენებლობის ადგილის შერჩევამდე მაქს. მოგების მისაღებად. იმპერიალიზმის სტადიაზე კაპიტალ. მონოპოლიების ინტერესებიდან გამომდინარე უფრო ხელსაყრელი გახდა ამა თუ იმ დარგის საწარმოთა ერთობლიობის (ან მთელი დარგის) „ოპტიმალური“ გაადგილება. გათვალისწინებულია აგრეთვე ამ საწარმოთა პროდუქციის გასაღების ხელსაყრელი ზონები. თანამედროვე სახელმწ. მონოპ. კაპიტალიზმს მეურნეობის კაპიტალ. ორგანიზაციაში შეაქვს ზოგიერთი ახ. ნიშანი, მაგრამ არ ცვლის მის არსს.

სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების პირობებში საწარმოო ძალთა გეგმაზომიერი და რაციონალური გაადგილებისათვის არსებობს ობიექტური პირობები. ს. ძ. გ. რაციონალური სოციალ. წარმოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

ს. ძ. გ-ის მეცნ. თეორიის პრინციპული დებულებები ჩამოყალიბებულია მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებში და განვითარებულია სკკპ ყრილობების, კონფერენციების, სკკპ ცკ-ის პლენუმების გადაწყვეტილებებში, სკკპ პროგრამაში. წარმოების რაციონალური გაადგილება უმთავრესად წყვეტს საზ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ქვეყნის რ-ნებში შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენება, მოკავშირე რესპუბლიკების მეურნ. სპეციალიზაცია და კომპლ. განვითარება, ახ. ტერიტორიების ათვისება, ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების თანდათანობითი დაძლევა, სატვირთო გადაზიდვის რაციონალიზაცია და სხვ.

ბ. ქავთარია.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, მატერიალური წარმოების განვითარების ზოგადსოციოლოგიური კანონი, რ-იც გამოხატავს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების როგორც რაოდენობრივ („დონისადმი შესაბამისობა“), ისე თვისებრივ („ხასიათისადმი შესაბამისობა“) კავშირს. მისი არსია საწარმოო ძალთა განვითარებისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ხელშეწყობა.

კლასობრივ-ანტაგონისტურ საზ-ბაში ტიპური წარმოებითი ურთიერთობანი ძირითადად, მაგრამ მხოლოდ დროებით, შეესაბამებიან საწარმოო ძალთა დონესა და ხასიათს. მათი შესაბამისობის დარღვევა და შეუსაბამობით შეცვლა გამოხატავს საზ. პროგრესის დამუხრუჭების ფაქტს და ძვ. წყობილების შესაცვლელად აუცილებელი სოც. რევოლუციის ეკონ. საფუძვლის მომწიფებას. ამიტომ ახ. საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებით ურთიერთობებს შორის კონფლიქტის გადალახვა შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. მაშასადამე, შეუსაბამობა აღნიშნული კანონის მხოლოდ შინაგანი წინააღმდეგობრივი მომწიფებაა და არა დამოუკიდებელი კანონზომიერება.

სოციალიზმის, განსაკუთრებით კი კომუნიზმის დროს წარმოებითი ურთიერთობები სრულად შეესაბამება საწარმოო ძალებს, რაც გამორიცხავს მ. შ. შეუსაბამობას და სოც.-რევოლუციების აუცილებლობას.

ლიტ. იხ. სტ-თან ისტორიული მატერიალიზმი.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲡᲐᲛᲔᲠᲔᲜᲒᲝ-ᲡᲐ-ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ, საწარმოო, ორგანიზაციული, ტექნიკური და სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე საწარმოს კოლექტივის სოციალური განვითარების ერთწლიანი კომპლექსური გეგმა, რ-იც დგება სამინისტროსაგან მიღებული გეგმის ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე (დაყოფილია კვარტალებად). აკონკრეტებს პერსპექტიული (ხუთწლიანი) გეგმის მაჩვენებლებს. საწარმოში არსებული მთელი რესურსების ყველაზე სრული და მიზანშეწონილი გამოყენებით უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვებისა და სხვა ტექ.-ეკონ. მაჩვენებლების სახელმწ. დავალებების შესრულებას.

ს. ტ.-ს.-ს. გ-ის თავისებურებაა მისი კომპლექსურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში, ერთი მხრივ, მოცემულია გეგმის მაჩვენებლები, მეორე მხრივ კი ამ მაჩვენებლის ტექ.-ეკონ. დასაბუთება და ის ღონისძიებები, რ-ებიც უზრუნველყოფენ მათ შესრულებას.

ს. ტ.-ს.-ს. გ. შედგება შემდეგი განყ-ებისაგან: 1. პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია; 2. წარმოების ტექ. განვითარება და ორგანიზაცია; 3. წარმოების ეკონ. ეფექტიანობის ამაღლების მაჩვენებლები; 4. ნორმები და ნორმატივები; 5. კაპიტ. დაბანდებანი და კაპიტ. მშენებლობა; 6. მატერ.-ტექ. უზრუნველყოფა; 7. შრომა და ხელფასი; 8. თვითღირებულება, მოგება და წარმოების რენტაბელობა; 9. ეკონ. სტიმულირების ფონდები; 10. საფინანსო გეგმა; 11. კოლექტივის სოც. განვითარება; 12. ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ს. ტ.-ს.-ს. გ-ის დამუშავების ამოსავალი მონაცემებია ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლები მოცემული საგეგმო წლისათვის, წლიური გეგმის მაჩვენებლებისა და ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ნომენკლატურა; პროდუქციაზე (მომსახურებაზე) დაზუსტებული მოთხოვნა და მისი რეალიზაციის შესაძლებელი მოცულობა დადებული სამეურნეო ხელშეკრულებათა გათვალისწინებით; საწარმოო სიმძლავრეების, ცოცხალი შრომისა და მატერ. რესურსების დანახარჯების პროგრ. ტექ.-ეკონ. ნორმები და ნორმატივები; ახ. ტექ. და ტექნოლ. შექმნის, ათვისებისა და დანერგვის დავალება, გამოგონებები, პატენტები, რაციონალიზატორული წინადადებები და მოწინავეთა გამოცდილება.


ს. ტ.-ს.-ს. გ. მუშავდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ძირითადი მიმართულებების პროექტისა და განვლილი პერიოდის სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების კომპლ. ანალიზის საფუძველზე საწარმო ამუშავებს გეგმის პროექტს. ზემდგომი ორგანო საწარმოს წარმომადგენლების მონაწილეობით იხილავს ს. ტ.-ს.-ს. გ-ის პროექტს, შეაქვს მასში კორექტივი და სახ. მეურნ. სახელმწიფო გეგმიდან გამომდინარე დაუმტკიცებს საწარმოს დირექტიულ მაჩვენებლებს. მეორე ეტაპზე მიმდინარეობს ს. ტ.-ს.-ს. გ-ის საბოლოო ვარიანტის დამუშავება, რ-იც მტკიცდება საწარმოს ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება ზემდგომ ორგანოს შესრულების საკონტროლოდ.

ვ. ლობჟანიძე.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚ-ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ, სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) საფინანსო გეგმის ფორმა, ტექნიკური სამრეწველო-საფინანსო გეგმის დასკვნითი ნაწილი, რ-შიც ფულადი ფორ-



საწყარი. ტრაქტორ-საწყარი.



საწერი მანქანა. ბერკეტული საბეჭდი მექანიზმის სქემა: 1—კლავიშის ბერკეტი; 2—ბერკეტული გადაცემა; 3 — ლიტერის ბერკეტი; 4 — ქაღალდსაჭერი ლილვაკი; 5 — ქაღალდი; 6—მელბავი ლენტი.



საწერი მანქანები: ა—საკანცელარიო ელექტრული; ბ — ასაწყობ-საწერი ელექტრული („ვერიტაიპერი", მოდელი 1010, აშშ); გ—საკონსტრუქტორო (მპკ—1. სსრკ).

მით აისახება სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შედეგები, სახელმწ. ბიუჯეტში შემოსული გადასახდელები და სახელმწ. ბიუჯეტიდან გაცემული ასიგნებანი. ს. შ.-გ. ბ. დგება სახ.-სამ. გეგმის შპრეენებლების საფუძველზე. მისი შედგენისათვის წინასწარ გაიანგარიშებენ შემოსავალსა და გასავალს ცალკეული შუხლების მიხედვით. ს. შ.-გ. ბ. შედგება 4 განყ-ბისაგან:

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი დ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ა: მოგება და ბრუნვის გადასახადი; საამორტიზაციო ანარიცხები; საწარმოს სხვა შემოსავალი და რესურსები (შიდა რესურსების მობილიზაცია კაპიტ. მშენებლობაში); პროდუქციის თვითღირებულების ანარიცხები.

ხ ა რ ჯ ე ბ ი დ ა ა ნ ა რ ი ც ხ ე ბ ი, ცენტრალიზებული კაპიტ. დაბანდებები, კაპიტ. მშენებლობის საბრუნავი საშუალებების შევსება, კაპიტ. რემონტის დანახარჯები; საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატიების ზრდა; ანარიცხები და ხარჯები ეკონ. სტიმულირების ფონდების შესაქმნელად.

ს ა კ რ ე დ ი ტ ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა: შემოსავალში აისახება ცენტრალიზებულ კაპიტ. დაბანდებისათვის გრძელვადიანი სესხების მიღება (ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების შეცვლის წესით), ხოლო გასავალში — მოგების ხარჯზე ცენტრალიზებულ კაპიტ. დაბანდებაზე, ახ. პროდუქციის გამოშვების, ხარისხის, სამედოობისა და ნაკეთობათა ხანგამძლეობის გაღიდების ღონისძიებათა გასატარებლად მიღებული ბანკის კრედიტის გარდამავალი დავალიანებების, აგრეთვე ბანკის კრედიტზე პროცენტის გადახდა.

ბ ი უ ჯ ე ტ თ ა ნ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა. ამ განყ-ბის პირველ ნაწილში მოცემულია ბიუჯეტში გადასახდელები — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საშასური, ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელი, მოგების თავისუფალი ნაშთი, რ-იც ექვემდებარება სახელმწ. ბიუჯეტში შეტანას. მეორე ნაწილში მოცემულია ბიუჯეტიდან ასიგნებანი დანიშნულების მიხედვით — ცენტრალიზებული კაპიტ. დაბანდებისათვის, საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივების შევსებისათვის და სხვ. *ვ. ლობჟანიძე.*

საწევარი, მისაბმელების, ნახევარმისაბმელების, საძვრისების, აგრეთვე საკიდი (სას.-სამ., საგზაო-სამშენებლო) მოწყობილობების საბუქსირო მანქანა; აქვს გადასაბმელი მოწყობილობა, მისაბმელთან სამუხრუჭო ამძრავის გამომყვანი და მისაბმელის ელექტროკვების ჩასართავი როზეტი. ტრაქტორებისა და ავტომობილებისაგან განსხვავებით ს-ს აქვს შედარებით მძლავრი ძრავა და გადიდებული გადაცემის რიცხვი ტრანსმისიაში. განასხვავებენ საბუქსირო (მექანიზმი საწევ-გადასაბმელი აქვს), უნაგირა (მექანიზმი — საყრდენ-გადასაბმელი) და ბალასტურ ს-ებს.

საწელავი ჩარხი, *ლითონსაჭრელი ჩარხი*, რ-იც მჭრელი იარაღით—საწელავით — ამუშავებს სხვადასხვა პროფილის შიგა და გარე ზედაპირებს. ს. ჩ. არის უნივერს. და სპეც., ჰორიზ. და ვერტ., ერთ- და მრავალპოზიციური (რამდენიმე დეტალის დასაყენებელი საბრუნი მაგიდითურთ). ს. ჩ-ზე ნამზადი უძრავია. კარეტაზე დამაგრებული საწელავი ასრულებს მთავარ სწორხაზოვან მოძრაობას (იშვიათად ნამზადი გადაადგილდება უძრავი საწელავის მიმართ). მიწოდება ხორციელდება საწელავის კბილების ამაღლების შედეგად. ს. ჩ-ს დამუშავების სიზუსტე მაღალია (6—7 კვალიტეტი). მას უმეტესად მასობრივ და მსხვილსერიულ წარმოებაში იყენებენ. *კ. ნუცუბიძე.*

საწერეკლის ქედი, ქედი ასხის მასივის სამხრ-ით. თანდათანობით მაღლდება ჩრდ.აღმ-კენ (საშ. სიმაღლე 2100 *მ*, მაქს. — 2441 *მ*). აგებულია ცარცული კირქვებით, რის გამო მისი ბრტყელი თხემი და კალთები დაცხრილულია კარსტული ფორმებით, რ-თა შორის გაბატონებულია კარსტული ძაბრები (სასულეები). ს. ძ. შემოსილია სუბალპ. მდელოს ბალახმცენარეულობით. *ს. ნემანიშვილი.*

საწერი ავტომატი, მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა ბეჭდვის პროცესებისა და მანქანით ნაწერი საბუთების ლოგიკური დამუშავების ავტომატიზაცია (რედაქტირება, კორექტურა, ტექსტის სტრიქონისა და გვერდების ფორმატის შეცვლა, ცხრილების ფორმირება, მოცემული ნიშნების მიხედვით ინფორმაციის შეკრება და სხვ.). ს. ა. რედაქციებში, კანცელარიებში, სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ტექნოლ. და საკონსტრუქტორო ბიუროებში, საწარმოს საგეგმო განყ-ბებში, ბუხალტერიებსა და მისთ. *ორგტექნიკის* ერთ-ერთი საშუალება.

ს. ა-ის შედგენილობაში შედის ელექტრული *საწერი მანქანის* ბაზაზე შექმნილი საბეჭდი მოწყობილობა, ინფორმაციის მატარებელზე (პერფოლენტი, მაგნ. ლენტი, პერფობარათი ან მაგნ. ბარათი) ინფორმაციის ჩასაწერი მოწყობილობა, ამომკითხავი მოწყობილობა და მართვის ბლოკი.

ს. ა. ერთდროულად ასრულებს ორ პროცესს: ამზადებს საბუთს და აწარმოებს ამავე საბუთის კოდირებულ ჩაწერას ინფორმაციის მატარებელზე. ამ დროს ფიქსირდება ტექსტი და სასვენი ნიშნები, აგრეთვე სტრიქონის დასაწყისი და ბოლო, სტრიქონის სიგრძე (ნიშანთა რაოდენობის მიხედვით), გადატანა, აბზაცი, ინტერვალი სიტყვებსა და სტრიქონებს შორის და სხვ. ტიპობრივი დოკუმენტაციის ხშირად შედგენის შემთხვევაში ინფორმაციის მატარებელზე იწერენ სტანდ. ტექსტის ანაწყობს და ს. ა. მათ ავტომ. რეჟიმში ბეჭდავს, ცვლად მონაცემებს კი ოპერატორი ჩაბეჭდავს უშუალოდ კლავიატურიდან. უფრო სრულყოფილი ს. ა-ები აღჭურვილია სტანდ. პროგრამების ბ-კით და ატარებენ საინფორმაციო გამომთვლელი მანქანებისათვის დამახასიათებელ ოპერაციებს.

საწერი მანქანა, საბეჭდი მანქანა, მოწყობილობა, რ-საც ტექსტების, ცხრილების, ციფრული მასალის ბეჭდვისას ნიშნების (ასო, ციფრი და სხვ.) სტანდარტული გამოსახულება ქაღალდზე თანამიმდევრულად გადააქვს. ს. მ-ების უმრავლესობაში ბეჭდვა მიმდინარეობს კლავიატურიდან ბერკეტების მეშვეობით. ს. მ-ებს აქვს 42-46-კლავიშიანი კლავიატურა. ყოველ ბერკეტზე არის 2 საბეჭდი ნიშანი, მანქანით წერის სიჩქარე შეზღუდულია ადამიანის შესაძლებლობებით და შეადგენს 7—10 ნიშანს *წმ*-ში.

დანიშნულების მიხედვით ს. მ. არის საკანცელარიო — სტანდარტული (ბეჭდავენ 24 — 82 *სმ* სიგანის ფურცლებზე), პორტატიული (ბეჭდავს 24 *სმ*-მდე სიგრძის სტრიქონს), საბუხჭალტრო (აქვს გამომთვლელი მექანიზმები, ცხრილების შესავსები და ანგარიშის ამოსაწერი მოწყობილობები), სპეციალური (ნოტების, სტილიზებული შრიფტის, ბრაილის ანბანის რელიეფური ნიშნების და სხვათა საბეჭდი), ასაწყობ-საწერი, სტენოგრაფიული და სხვ.

ს. მ-ის ძირითადი ელემენტია საბეჭდი მექანიზმი კლავიატურითურთ, რ-ის ამძრავის მიხედვით ს. მ-ები არის მექან. და ელექტრული. საბეჭდი მექანიზმი იმართება კლავიატურიდან, რ-ზეც გამოტანილია ასოების, ციფრების, სასვენი ნიშნების, მათ. სიმბოლოების (+, %, =), დამხმარე ნიშნების (ფრჩხილები, წილადი და სხვ.), რეგისტრის, ტაბულატორის, ბიჯის (მარჯვნივ-მარცხნივ) სამართავი კლავიშები. ს. მ-ის შედგენილობაში შედის აგრეთვე კარეტა ქაღალდსაყრდენი ლილვაკითურთ, კარეტის ან საბეჭდი თავის გადასაადგილებელი ბიჯური მექანიზმი, რეგისტრის გადასართველი, ლენტის გადასაადგილებელი მექანიზმები, საბეჭდი მექანიზმის მიმართ კარეტის ზუსტად გასაჩერებელი ტაბულატორი.

საწერტელი, ნაწრთობი ფილადისაგან დამზადებული წ-წვეტებული ლითონეროს სახის საზეინკლო იარაღი, რ-საც იყენებენ ნამზადებზე წერტილების კერნებისა — დასაჩნევად. ს. არის ჩვეულებრივი და ავტომატური (ზამბარული და ელექტრული).

საწესდებო ფონდი საწარმოსსრ კავშირში, სახელმწიფოს მიერ სოციალისტური საწარმოსათვის (გაერთიანებისათვის) მუდმივ სარგებლობაში უნაღაღებოდ გადაცემული მატერ. და ფულადი საშუალებები. ს. ფ. საწარმოს ძირითადი და ნაკუთარი საშუალებების ძირითადი წყარო. ამ ფონდიდან იქმნება ძირითადი და საბრუნავი საშუალებები. ს. ფ-ის დიდი ნაწილი (მრეწვ. ს. ფ-ის დაახლ. 4/5) მ თავსებულია ძირითად საშუალებებში. თ დაპირველად ს. ფ-ის სიდიდე განისაზღვრება საწარმოს (გაერთიანების) წესდებით ან მოქმედი დებულებით. სამეურნეო საქმიანობის პროცესში იგი იზრდება ან მცირდება. მისი გადიდების ძირითადი ფაქტორებია: ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების დაფინანსება, წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე წარმოებითი ძირითადი ფონდების ამოქმედება, მოწყობილობათა კაპიტ. რემონტისა და მოდერნიზაციის განხორციელება, აგრეთვე *საბრუნავი საშუალებების* შევსება. ს. ფ-ის სიდიდის ცვლილება აისახება სპეც. საბუჰალტრო ანგარიშსა და საწარმოს წლიურ ანგარიშგებაში.

საწვავი აირები ბუნებრივი, ა რადი ნახშირწყალბადები (მეთანი, ეთანი, პროპანი, ბუთანი), რ-ებიც წარმოიქმნება დედამიწის ქერქში. განარჩევენ ს. ა-ის ტიპის საბადოებს: დამოუკიდებელ დანაგროვებს, რ-ებიც არ არის დაკავშირებული სხვა სასარგებლო წიაღისეულთან; აირ-ნავთობიან საბადოებს, რ-ებშიც აირადი ნახშირწყალბადები მთლიანად ან ნაწილობრივ გახსნილია ნავთობში ან მოქცეულია ბუდობის ზედა ნაწილში თავისუფალი სახით; აირკონდენსატურ საბადოებს, რ-შიც აირი გამდიდრებულია თხევადი, დაღილის შედარებით დაბალი ტემპ-რის (300—250°C) მქონე ნახშირწყალბადებით. ს. ძირითადად წარმოიქმნება დანალექი ქანების ორგ. ნივთიერების კატაგენეტური გარდაქმნის შედეგად.

საწვავის ფილტრი, შიგაწვის ძრავების სისტემაში საწვავის გასაწმენდად მოწყობილობა. ს. ფ-ის დანიშნულებაა იმ მექან. მინარევების გამოყოფა, რ-ებსაც შეუძლიათ კარბიურატორიანი შიგაწვის ძრავებში ჟიკლიორის, დიზელებში საწვავის ტუმბოსა და ფრჩვენების გამოგნების ჩვეულებრივ იყენებენ უხეში და წმინდა გაწმენდის ს. ფ-ებს, რ-ებსაც თანამიმდევრულად დგამენ საწვავის მაგისტრალზე. ზოგჯერ ს. ფ-ს კონსტრუქციულად აერთიანებენ სალექართან, რ-შიც საწვავი თავისუფლდება მძიმე მყარი ნაწილაკებისა და უფრო მძიმე თხევადი მინარევებისაგან (წყალი, მძიმე ზეთები).

საწვავი ფიქლები, მყარი *კაუსტობიოლითების* ჯგუფის სასარგებლო წიაღისეული, რ-იც მშრალი გამოხდისას დიდი რაოდენობით იძლევა ნავთობის შედგენლობის მსგავს ფისს. ს. ფ-ის ძირითად ნაწილს მინერ. კომპონენტები შეადგენენ (კალციტი, მონტმორილონიტი, ჰიდრომიქარსები, კაოლინიტი, მინდვრის შპატები და სხვ.). ორგ. ნაწილი, რ-იც ძირითადად უმარტივეს წყალმცენარეთა გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება, 10—30%-ს (ორ ვიანად 50—70%) შეადგენს. განარჩევენ ზღვიური, ლაგუნური და ტბიური წარმოშობის ს. ფ-ს; შედგენილობის მიხედვით თიხიანს, კარბონატულს და კაჟიანს.

გვხვდება პალეოზოურ, მეზოზოურ და ინოზოურ ნალექებში. მათი საბადოებია რკ-ში (ესტ. სსრ, ლენინგრ. ოლქი), შ-ში, კანადაში, ჩინეთში, ბრაზილია-, გფრ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვ.

ᲡᲬᲕᲔᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ, ძროხების მექანირად საწველი აპარატი; იყენებენ ძრობის მანქანური წველის დროს (რძე გროვება გადასატან მათარებში ან რძესატარ-). სსრკ-ში უშვებენ 2-ტაქტიან ს. ა-ს — 2 „მაიგასა“ და 3-ტაქტიან „ვოლგას“. ტაქტიან ს. ა-ში მუშა ციკლი შედგება ვისა და შეკუმშვის ტაქტისაგან, ხოლო ტაქტიანში (ნახ.) არის კიდევ შესვების ტაქტი. წოვის ტაქტისას საწველი ქის კედელთშორის და კერტქვეშა კარებში ჰაერი გაუხშოვდება. შეკუმშვის ქტისას კერტქვეშა კამერაში გაუხშოვრჩება, ხოლო კედელთშორის კამერაში ევა ატმოსფერულამდე აღდგება. ამ დროს წველ ჭიქაში რეზინი იკუმშება და კერის მასაჟს უზრუნველყოფს. შესვენების ქტის დროს ატმ. წნევა ორივე კამერაში დგება. მუდმივი ვაკუუმის ცვლად ვაკუუმად გარდასაქმნელად მათარის სახუავზე დამონტაჟებულია პულსატორი და ულექტორი.

ᲡᲬᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘ, მანქანებისა და არატების კომპლექსი, რ-საც იყენებენ როხების მანქანური წველისა და რძის ერველადი გადამუშავებისათვის. სსრკ-ში ამოშვებულ ს. დ-ებს: ად-100ა და დას-2, -თა საწველი აპარატებია „ვოლგა“ და ჰაიგა“, იყენებენ ეზოში დაბმულად შეახული პირუტყვის საწველად (წველიან ადასატან მათარებში). ამ დანადგარებით ეიძლება მოემსახურო 100 ძროხას. სამაულო წარმოება უშვებს აგრეთვე ს. დ-ებს მოლოკოპროვოდ-100“ და „მოლოკოპროვოდ-200“, რ-ებითაც ძროხებს წველიან რძეატარში. მოძრავ ს. დ-ს (უდს-3ა) იყებენ საძოვრებზე ან რძის ფერმების საველ დარბაზებში დაუბმელად შენახული როხების საწველად. ს. დ-ებს აქვს რძის ერველადი გადამუშავების აპარატურა და ძის ხაზის ცირკულაციურად სარეცხი სისემა

ᲐᲬᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, ძროხების მექანებულ წველისათვის გაწკუთვნილი სადგისი იყენებენ ისეთ შემთხვევაში, როა საქონელს დაუბმელად („ბოქსური“ ან ხვი წესით) ინახავენ. დაბმულ საქონელს ი სადგომებში (საძროხეებში) წველიან. სრკ-ში გავრცელებულ ს. დ-ებში 1, 3 ან საწველი დანადგარია წველის წინ ფუებ (50 სულამდე), შეჰყავთ ე. წ მოაცდელ მოედანზე საიდანაც ანაწილებენ აწველ აპარატებთან. საწველ დანადგარს ქვს საკვებური, საიდანაც წველის დროს ხოველს მექანიზებული წესით აძლევენ ონცენტრირებულ საკვებს. ეს ხელს წყობს ს დ-კენ ლტოლვის ინსტინქტის ამოშუშავებას ძალდაუტანებლად მექანიებული ს. დ. უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით, კანალიზაციით, გათობით, ვენტილაციით და ელექტრომომაგებით. ზ. ჯანელიძე.

ᲡᲐᲬᲕᲘᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ და დანადგარები, სარწყავი აპარატები, რ-თა დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების, სანერგეების, ბაღებისა და პლანტაციების მორწყვა დაწვიმებით, იგი დაონტაჟებულია ტრაქტორზე, ზოგჯერ კი დამოუკიდებელია. ასეთი აპარატები გადადგილდება საკუთარი საყრდენებით. საწვიმებელი დანადგარები გადასატანია. ს. მ-ისა და დანადგარების მთავარი მუშა ორგანოებია: მოკლეჭავლიანი (წვეთების გაფრქვევის მანძილი 5—8 მ) საცმები (გამწეფები), საშუალოჭავლიანი (15—35 მ) და გრძელჭავლიანი (40—80 მმ) საწვიებელი აპარატები (ნახ. 1). საცმებს არა აქვს მბრუნავი ნაწილები. დეფლექტორულ საცმებში წყალი წვეთებად ნაწილდება დეფლექტორზე (კონუსზე) დარტყმისას, ცენტრიდანულში (ბრახნულარხებიანში) — ცენტრიდანული ძალის მოქმედებით. საწვიმებელი აპარატები შედგება ერთი ან რამდენიმე ბუნიკიანი ტანისაგან, რ-ებიც მორწყვისას ვერტ. ღერძის ირგვლივ ბრუნავენ. წყლის ჭავლი ბუნიკიდან გამოსვლის შემდეგ ჰაერთან შეხებისას წვეთებად იშლება. წვეთების სიდიდისა და მორწყვის ინტენსიურობის რეგულირება შეიძლება სხვადასხვა დიამეტრის საცმების დაყენებითა და წყლის წნევის ცვლით. რწყვის ფართობის გასაზრდელად და წვიმის საშ. ინტენსიურობის შესამცირებლად ისეთ საწვიმებელ აპარატს იყენებენ, რ-საც აქვს დაგრძელებული ტანი და იმპულსური მოქმედების მოწყობილობა.

მოქმედების პრინციპის მიხედვით ს. მ. და დანადგარები არის პოზიციური და მოძრაობის პროცესში მომუშავე. პოზიციური დანადგარი შედგება დასაშლელი ჰიდრანტებიანი მილსადენისა და 2 ისეთი საწვიმებელი ფრთისაგან, რ-თაც მოკლეჭავლიანი საცმები ან სამუალოჭავლიანი აპარატები აქვთ. სანამ ერთი ფრთა მუშაობს, მეორე ახ. პოზიციაზე გადააქვთ. დანადგარის მწარმოებლურობაა 0,28—0,30 ჰა/სთ, როცა მორწყვის ნორმაა 300 მ³/ჰა. პოზიციური მოკლეჭავლიანი ს. მ. ორკონსოლიანი საწვიმებელი წამწეა, რ-საც ჰკიდებენ თვითმავალ მუხლუხასავლიან საყრდენებზე. მანქანის მწარმოებლურობაა 0,6—1,4 ჰა/სთ. პოზიციურ გრძელჭავლიან ს. მ-ს აქვს ცენტრიდანული ტუმბოები, რ-ებიც შეიწოვენ წყალს და აწვდიან გრძელჭავლიან აპარატებს. მათი მწარმოებლურობაა 0,25—0,8 ჰა/სთ. ს. მ-ები, რ-ებიც მოძრაობის პროცესში მუშაობს შედგება ორკონსოლიანი წამწისაგან, რ-საც აქვს მოკლეჭავლიანი საცმები. წამწეს ტრაქტორზე ჰკიდებენ (ნახ. 2). მწარმოებლურობაა 0,85 ჰა/სთ.

ლიტ.: Рычков Н. И., Дождевальные машины и их использование, М., 1965.

ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ, ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი კრებული; შედგება ძველი აღთქმის, უმთავრესად წინასწარმეტყველთა წიგნებიდან გამოკრებილი საკითხავებისაგან. X ს-მდე ს., ისევე როგორც *სამოციქულო*, ცალკე არ გვხვდება და *ლექციონარში* შედის. გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა ს-ს ტიპის კრებული „საწელიწდოჲ საწინაჱსწარმეტყუელოჲ“ (ხელნაწ. ინ-ტი, ხელნაწ. H-1350).

ლიტ. იხ. სტ-თან *სამოციქულო*. *უ. ცინდელიანი.*

ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, წინდების საქსოვი ტრიკოტაჟის მანქანა. ყველაზე მეტად გავრცელებულია მრგვალი ს. მ-ები, რ-ებშიც მარყუჟის წარმოქმნის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს. მრგვალ ს. მ-ებზე ქსოვენ ყველა სახის წინდას. ნედლეულად იყენებენ პოლიამიდურ ძაფს ან ბამბის ნართს. ქალის წინდების საქსოვად იყენებენ 2,3 და 8 მარყუჟწარმომქმნელი სისტემის მქონე ერთცილინდრიან მანქანებს. მათი ძირითადი მუშა ორგანოა ნემსის ცილინდრის კილოებში მოთავსებული ნემსები და ცილინდრის ზედა კიდის შემომწვდომ რგოლის რადიალურ კილოებში მოთავსებული ფირფიტები. ნემსებისა და ფირფიტების ძაფთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება წინდის მარყუჟები (თვლები). მზა წინდის წვერს, როგორც წესი, გაკერავენ სპეც. მანქანებზე. უახლესი ავტომატებით ქსოვენ დახურულცხვირიან წინდებს.


ს. მ-ის ტექ. მახასიათებლებია: ცილინდრის დიამეტრი (2,5-იდან 4,5 დუიმამდე), ნემსების რაოდენობა ცილინდრში (40—80), ნემსების სიხშირე ანუ კლასი (იზომება ნემსების რაოდენობით ცილინდრის წრის ერთ ინგლ. დუიმზე), მარყუჟის წარმომქმნელი სისტემების რაოდენობა (1—12).

ᲡᲐᲬᲘᲠᲐᲝ, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. ტყიბულის წყალსაცავის დას-ით. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ახალსოფელი, ბზიაური, დაბაძველი, ზედუბანი, სამტრედია, ჭიროვანი). რკინიგზის სადგური. ზ. დ. 550 მ, ტყიბულიდან 6 კმ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესაძინდეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, აფთიაქი, დასასვენებელი სახლი, კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. ს. გელათის მონასტრის კუთვნილი სოფელი იყო. საწირელები იღებდნენ რკინის მადანს და ამუშავებდნენ. შუა საუკუნეებში ცნობილი იყო საწირის ციხე; ამჟამად ციხე ს-ს განაყოფ სოფ *ზედუბნის* ტერიტორიაზეა.


ᲡᲐᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲝ, სოფელი წულუკიძის რ-ნში (კინჩხის სოფსაბჭო), მდ. ოკაცის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 760 მ, წულუკიძიდან 23 კმ გაორდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა. საშ. სკოლა სოფ. კინჩხში (1 კმ). ბ-კა.

ᲡᲐᲬᲙᲔᲗᲔᲚᲐ, თრიალეთის ქედის ჩრდ.-აღმ განშტოება. მდ. ვერის სათავესთან გამოეყოფა თრიალეთის ქედს და დიდგორის მთამდე (1274 მ) გრძელდება. აგებულია ზედაეოცენური თაბაშირისშემცველი თიხებით და ქვიშაქვებით. კალთები დანაწევრებულია მდ-ების მტკვრისა და დილმისწყლის შენაკადებით. მთის ჩრდ.-დას. კალთა შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით. *ს. ნემანიშვილი.*


ᲡᲐᲬᲕᲔᲜᲔᲓᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲒᲔᲑᲘ საკანალიზაციო, დასახლებული ადგილისა და სამრეწველო საწარმოს *კანალიზაციის* სისტემაში შემავალ საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსი, რ-ის დანიშნულებაა სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო *ჩამდინარე წყლის* გაწმენდა მასში შემავალი ჭუჭყისაგან. გაწმენდის მიზანია ჩამდინარე წყლის მომზადება წყალსატევში ჩასაშვებად. ზოგიერთ საწარმოო ჩამდინარე წყალს ჯერ წმენდენ ლოკალურ ს. ნ-ში, რის შემდეგ შესაძლებელია მისი მაერთება საერთო საკანალიზაციო ქსელთან ან ხელახლა გამოყენება ტექნოლ. პროცესში. ჩამდინარე წყლის გაჭუჭყიანებისა და გაწმენდის საჭირო ხარისხის შესაბამისად ს. ნ-ის შედგენილობაში შეიძლება იყოს მექან., ბიოლ., ფიზ.-ქიმ. და დამატ. წმენდის მოწყობილობები (ნაგებობები). მექანიკური წმენდის ნაგებობებში ჩამდინარე წყალს აცილებენ 75%-მდე უხსნარ ჭუჭყს (ქვრილი მინერ. მინარევები, სილა და მისთ.). ამოტივტივებულ ნივთიერებებს აკავებენ გისოსის ან საცრის მეშვეობით, ამოაქვთ წყლიდან, ნაყავენ და უშვებენ ჩამდინარე წყლის ნაკადში ან ამუშავებენ ნალექთან ერთად. სილას და სხვა წვრილ მინერ. მინარევს აკავებს ე. წ. სილასაჭერი, გაუხსნელ შეტივტივებულ ნივთიერებებს კი — *სალექარი* და *სეპტიკი*. ნავთობპროდუქტების, ცხიმებისა და მისთ. მოსაცილებლად იყენებენ ნავთობსაჭერს, ცხიმსაჭერს და სხვ. ბიოლ. წმენდის ნაგებობებში ჩამდინარე წყალს მისი გადამუშავებით აცილებენ 90—95%-მდე ორგ. ჭუჭყს. ფიზ.-ქიმ. წმენ-








საწვიმებელი აპარატი. სამტაქტიანი საწველი აპარატის ჭიქები. 1—წოვის ტაქტი; 2—შეკუმშვის ტაქტი; 3—შესვენების ტაქტი.






საწვიმებელი მანქანები. ნახ. 1 საწვიმებელი მანქანებისა და დანადგარების მუშა ორგანოები: ა—მოკლეჭავლიანი ლეფსლექტორული საცმი (1 — დეფლექტორი; 2—ძაბრი); ბ—გრძელჭავლიანი საწვიმებელი აპარატი (1—ლულები; 2—ბუნიკები; 3—მბრუნავი საყრდენი; 4—მილსადენი; 5—ფრთოვანა).


საწვიმებელი მანქანები. ნახ. 2. მოკლეჭავლიანი საწვიმებელი მანქანა, რომელიც მოძრაობის პროცესში მუშაობს.



საჭესამართი: ავტომობილის საჭე: 1—საბრუნი პოჭოჭიკი; 2 — ტაბიკი; 3 — გრძივი საჭის საწევის ბერკეტი; 4—საჭის თვალი; 5—ჭიაბრახნული გადამცემი მექანიზმი; 6—საჭის ჭიღო; 7 — გრძივი საჭის საწევი; 8 — განივი საჭის საწევი; 9 — ბურთულა შესახსრება; 10 — საბრუნი პოჭოჭიკის ბერკეტი; 11 — წინა ღერძის კოჭი.



ა



ბ

საჭევარი. ნახ. 1. ა—მცირე გემის საჭევარი; ბ—უკონტაქტო ავტომატური საჭეერის პულტი გემზე.

დის ნაგებობებში შედის რეაგენტისა და შემრევების ჩამდისარე წყალთან შესარევი მოწყობილობები, სარეაქციო კამერები და სხვ. საჭიროების შემთხვევაში ბიოლ. გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყალს წმენდენ დამატებით წმენდის ნაგებობებში. გაწმენდის ბოლო ეტაპია დეზინფექცია, რ-იც ჩვეულებრივ ქლორატორში ხდება.

ლიტ.: Канализация, 5 изд., М., 1975 (авт.: С. В. Яковлев, Я. А. Карелин, А. И. Жуков, С. К. Колобанов).

ა. *ზედგინიძე.*

საწვეთი სამუშაოები სამთო საქმეში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის საჭირო პროცესებისა და ოპერაციების კომპლექსი. ს. ს-ის წარმოების დროს განასხვავებენ სასარგებლო წიაღისეულის საერთო და სელექციურ ამოღებას. მიწისქვეშა ს. ს-ის ჩატარების შედეგად წარმოიქმნება საწმენდი გვირაბები, ხოლო სასარგებლო წიაღისეულის ამოღების შემდეგ საწმენდი სივრცე. სსრკ-ში ს. ს-ის ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებულია.

საწნახელი („ნავი“ — ქართლ-კახეთი, „ხორგო“ — რაჭა-ლეჩხუმი, „ხაპი“ — ზემო რაჭა, „სარნა“ — აჭარა), ყურძნის დასაჭყლეტი, დასაწნეხი, დასაწური და ღვინის დასაყენებელი ჭურჭელი. ამზადებდნენ ხისაგან (ცაცხვი, წაბლი, თელა, თხილი), ქვისაგან, კვეთდნენ კლდეში. ხის ს. ძირითადად 2 სახისაა: მრგვალი და გაკუთხული. პატარა ხის ს. 15—20 ფუთს იტევს, ხოლო დიდი — 3000 ფუთს. ამჟამად ხის ს-ები ყოფიდან გამოდის და მათ ადგილს იჭერს ცემენტის ხსნარით ნაგები ქვის ს-ები. უძველესი კლდეში კვეთილი ს. ელინისტური ხანით თარიღდება (უფლისციხე, ზენითი), გვხვდება ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანებშიც. უფრო მოგვიანებით, მელვინეობის ბუნვითარების უფრო მაღალ დონეზე, გაჩნდა დამოუკიდებელი მოწყობილობა — ჭაჭის მექან. საწნეხი. იგი უკვე ნიკორწმინდის XI ს. „დაწერილშია“ ცნობილი. აქვეა მოხსენიებული ხის „ს“. ქვითკირის „საწნეხი“ და ნაგებობა „სასაწნელო“. ს-ის თითოეული ტიპის სპეციფიკა განპირობებულია ხალხ. ტექნოლ. მოთხოვნილებებით. რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში ტაბლის ჭაჭაზე დადულება ძირითადად ს-ში ხდება. ს-ში აყენებენ აგრეთვე წყალნარევ, ე. წ. „სახარჯო ღვინოს“.

ლიტ.: ბოხოჩაძე ა., მეღვინეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (უძველესი დროიდან ახ. წ. XI—XIII ს-მდე), თბ., 1963; ფრუიძე ლ., მეღვინეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წგნ. 1 — რაჭა, თბ., 1974; ჯავახიშვილი ივ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წგნ. 1, ნაწ. 4, 5 — მეღვინეობა და მეხილეობა საქართველოში, თბ., 1964. ლ. *ფრუიძე.*

საწოლი მეფისა, საქართველოს მეფის მოსასვენებელი განსაკუთრებული დანიშნულება. აღწერილია ხელმწიფის კარის გარიგებაში (XIV ს.). სასახლეში ს. მოიცავდა საკუთრივ დასაწოლ-დასაძინებელ, აგრეთვე „უკაზმავი“ მეფის სამყოფ და ს-ის სამსახურებლისათვის განკუთვნილ ოთახებს. მგზავრობისათვის არსებობდა მოძრავი ს., რ-იც „სიკისტრო-სანი“ და „სასაგებლე“ ჯორებით გადაჰქონდათ *ბარგისუბუცესსა* და შუბოსან *მესაწოლეებს*. ს. *მსახურთუხუცესის* „ჴელისა“ იყო, უშუალოდ კი მას მესაწოლეთუხუცესი განაგებდა. დაცვას უზრუნველყოფდნენ „წინამწოლნი“, „კარის დარაჯა“ და *არგნოსანი* „საწოლის მეკარე“, კერძო სამსახურს — *ფარეშები*, ფარეშთუხუცესი და *მეღვინე*, ხოლო სახელმწ. საქმეებზე მოხსენება-განკარგულებათა აღნუსხვა და დაწესებულების წლიური ანგარიშის შედგენა-შემოწმება ს-ის *მწიგნობარს* ევალებოდა.

ლიტ.: ანთელავა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს., თბ., 1983; ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970, გვ. 30, 35—38, 42, 49—50, 100—101; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 1—2, ტფ., 1928—29. ი. *ფუტკარაძე.*

საოლქის მწიგნობარი, იხ. *მწიგნობარი.*

საზრუნველებელი მანქანა, ლითონის ნამზადებისა და ნაკეთობების სიმრუდის (ტალღოვნების) თავიდან ასაცილებელი მანქანა, რ-საც იყენებენ ფურცლოვანი, სორტული და პროფილიანი ნაგლინის, აგრეთვე ზომაგრძელი ნაკეთობების (ღერძები, ლილვები, შპინდელები და სხვ.) სწორებისას. ს. მ. რამდენიმე ტიპისაა. გორგოლაჭებიან ს. მ-ს, რ-საც აქვს ჭადრაკულად განლაგებული გორგოლაჭების 2 მწკრივი, იყენებენ ფურცლეზისა და სორტული ნაგლინის სწორებისათვის. როტორულ ს. მ-ს იყენებენ მილის განივკვეთის ოვალურობის ასაცილებლად, ირიბგლინებიან ს. მ-ს თხელკედლიანი მილების გასასწორებლად. თხელ ფურცლებსა და ზოლებს ასწორებენ საჭიმი ს. მ-ებით, მსხვილსორტულ პროფილებს, რელსებს, დიდი ზომის მილებს — საწრფევებელ წნეხებზე.

საოლესპირიო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (მენჯის სოფსაბჭო), მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 120 *მ*, ცხაკაიადან 8 *კმ*. ახალსენაკის დაფნის საბჭ. მეურნეობა, დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ბათარიაში (4 *კმ*).

საოურბლე, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს. ახლანდ. სოფ. მაწვანის (თეთრიწყაროს რ-ნი) დას-ით. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. I ნახევარში.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

საყავი, საწყაო, 1. სითხისა და მარცვლეულის საზომი ერთეულის ზოგადი სახელწოდება ფეოდ. ხანის საქართველოში. 2. XV—XVIII სს. დას. საქართველოში ღვინის ს., რ-იც იტევდა 18,4 ლ-ს.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს.), თბ., 1973. გ. *ჯაფარიძე.*

საყვალზედო, ქართული ხალხური შრომის პოეზიის სახეობა, წყლის მოტანასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. გავრცელებულია აღმ. საქართველოში და უმთავრესად ქალთა რეპერტუარს შეადგენს. მისი ნიმუშებია „თებრონე მიდის წყალზედა“, „აი, თინანო, თინანო“ და სხვ.

ლიტ. იხ. სტ-თან საგენახო.

„საყვალი კონრადი“ (გერმ. „Armer Konrad“). საიდუმლო ორგანიზაცია ვიურტემბერგის საპერცოგოში XVI ს. დამდეგს. 1514 მოაწყო. გლეხებისა და ქალაქელების ე. წ. „ს. კ-ის“ აჯანყება. აჯანყების მთავარი მიზეზები იყო ფეოდ. ექსპლუატაციის გაძლიერება, მძიმე ბეგარა, ჰერცოგ ულრიხ ვიურტემბერგელის თვითნებობა და სხვ. ზოგიერთ ქალაქში ძალაუფლება აჯანყებულებმა იგდეს ხელთ. ვიურტემბერგის ჰერცოგი იძულებული გახდა მოეწვია ლანდტაგი, რ-ზედაც 8 ივლ. დაიდო ე. წ. ტიუბინგენის ხელშეკრულება; ჰერცოგის ძალაუფლება რამდენადმე იზღუდებოდა, სამაგიეროდ ქ-ებს ჰერცოგის თითქმის ერთმილიონიანი ვალი უნდა გადაეხადათ. ბიურგერთა გამცემლობამ ჰერცოგს აჯანყების ჩახშობა გაუადვილა. „ს. კ-ის“ რევ. გამოსელა გლეხთა ომისა (1524 — 26) და *რეფორმაციის* წინ ერთ-ერთი ყველაზე დიდი აჯანყება იყო გერმანიაში.

საყისი გრამატიკაში, აღნიშნავს ზმნის უულლებელ ფორმას, რ-იც მოიცავს მის ლექსიკურ მნიშვნელობას უღლების კატეგორიათაგან (პირის, დროის, კილოსი და სხვ.) განყენებულად. იხ. *მახდარი, სახელზმნა.*

საყოველი პირობა პროცესის მათემატიკური ანალიზის დროს, ამ პროცესის მდგომარეობა საწყისად მიღებულ დროის რომელიმე მომენტში. თუ პროცესი აღიწერება დიფერენც. განტოლებით, მაშინ ამოცანის ამოხსნის ძიებას ამოცანის ს. პ-ით ეწოდება *კოშის ამოცანა.*

$$\frac{d^n y}{dt^n} = f\left(t, y, \frac{dy}{dt}, \ldots, \frac{d^{n-1}y}{dt^{n-1}}\right)$$

განტოლებისათვის ს. პ. მდგომარეობს $y, \frac{dy}{dt}, \ldots, \frac{d^{n-1}y}{dt^{n-1}}$ მნიშვნელობათა მოცემაში დროის იმ $t=t_0$ მნიშვნელობისთვის, რ-იც მიღებულია საწყისად. თუ $n=2$ და $y=y(t)$ მატერიალური წერტილის მოძრაობის კანონია, მაშინ ს. პ-ში მოცემულია წერტილის მდებარეობა და სიჩქარე $t=t_0$ მოენტში. ს. პ. კერძოწარმოებულიანი დიფერენც. განტოლებისათვის ყალიბდება ანალოგიურად.

საჭე, 1. გემის ს., გარსშემოდენილი ფორმის საბრუნი ვერტიკალური ფირფიტა გემის კიჩოში (ზოგჯერ გემის ცხვირშიც); იყენებენ გემის მოძრაობის სამართად. წყალქვეშა გემებზე წყალზედა ცურვის სამართი ვერტ. ს-ის გარდა არის აგრეთვე წყალქვეშა ცურვის სამართი კიჩოსა და ცხვირის ჰორიზ. ს. ისეთ გემებში, რ-თა საბრუნ მიმმართველ საცმებს წევის ხრახნი აქვთ, ს-ის როლს საცმები ასრულებს; 2. საფრენი აპარატის ს. — იხ. *საჰაერო საჭე, აირის საჭე*; 3. ავტომობილის ს. — იხ. *საჭესამართი.*

საჭედი ვალცები, სამჭედლო საჭედი მანქანა, იყენებენ წნელის მასალისაგან ისეთი დეტალების დასამზადებლად, რ-თაც არა აქვთ მნიშვნელოვანი შეერილები ან წახნაგები, ამასთან მკვეთრად არ ეცვლებათ განივი კვეთი. ასეთი დეტალებია: ქანჩის გასაღები, გასაშლელი ქანჩის გასაღების სახელურები, სახრახნელები, ფარცხის კბილები, ტურბინების ფრთები და სხვ. ს. ვ-ს ავრეთვე იყენებენ ცვლადი კვეთის პროფილის ნამზადში ლითონის მოცულობის გადასანაწილებლად შემდგომი შტამპვისათვის საწყისი ნამზადის მიღების მიზნით. ს. ვ-ზე დეტალები მიიღება ვალცვით, რ-იც ხორციელდება მბრუნავ სექტორებს (შტამპებს) შორის ნამზადის მოჭიმვით. სექტორების მუშა ზედაპირებს დეტალის მოხაზულობის შესაბამისი ფორმა აქვთ. ს. ვ-ზე აგრეთვე ჭრიან, ღუნავენ და ასწორებენ ნამზადებს.

საჭევარი, საჭის თვალი, საჭესამართის წამყვანი რგოლი, რ-იც გემებზე ამძრავით შეერთებულია საბრუნ საჭესთან (ნახ. 1, ა), თვითმფრინავებზე — სიმალლის საჭესა და ელერონებთან (ნახ. 2), ავტომობილებზე, ტრაქტორებსა და მისთ. მანქანებზე — თვლებთან. გემებზე ს-ს აყენებენ კაპიტნის ჯიხურში, თვითმფრინავებზე — პილოტის კაბინაში, სატრანსპ. მანქანებზე — მძღოლის კაბინაში. პატარა გემებისა და თვითმფრინავების ს-ს ხელით აბრუნებენ, დიდისას — დამხმარე საჭის მაძლიერებლებით (ბუსტერებით). თანამედროვე გემებზე ს-ის მუშაობა მთლიანად ავტომატიზებულია (ნახ. 1, ბ) და გაიოლებულია ე. წ. მართვის მიმყოლი სისტემით.

საჭესამართი, ურელსო სატრანსპორტო მანქანების მოძრაობის მიმართულების შესაცვლელი მექანიზმი. ასეთი მანქანების უმრავლესობაში იყენებენ ავტომობილის ტიპის ს-ს, რ-იც შედგება საჭის მექანიზმისა და საჭის ამძრავისაგან. თანამედროვე საავტ. საჭის მექანიზმებს აქვს კბილანისა და ლარტყის, ჭიაბრახნისა და გორგოლაჭის, ჭიაბრახნისა და სექტორის ან ბრახნისა და ქანჩის სახის კინემატიკური წყვილი. ს-ის ამძრავი შედგება საჭის ტრაპეციისა და ბერკეტების სისტემისაგან, რ-ებიც შიგა თვალს უფრო დიდი კუთხით

სსრ კავშირისა და მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო გერბები



სსრკ სახელმწიფო გერბი



რსფსრ



უკრაინის სსრ



ბელორუსიის სსრ



უზბეკეთის სსრ



ყაზახეთის სსრ



საქართველოს სსრ



აზერბაიჯანის სსრ



ლიტვის სსრ




მოლდავეთის სსრ



ლატვიის სსრ




ყირგიზეთის სსრ



ტაჯიკეთის სსრ



სომხეთის სსრ



თურქმენეთის სსრ



ესტონეთის სსრ

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო გერბები



ავსტრალიის კავშირი



ავსტრია



ავღანეთი



ალბანეთი



ალჟირი



ამერიკის შეერთებული შტატები



ანგოლა



ანდორა



არაბთა გაერთიანებული საამიროები



არგენტინა



ახალი ზელანდია




ბანგლადეში



ბარბადოსი



ბაჰამის კუნძულები



ბაჰრეინი



ბელგია




ბენინი



ბირმა



ბოლივია



ბოტსვანა



ბრაზილია

შენიშვნა: 1984 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით



ბულგარეთი



ბურუნდი



ბჟუტანი



გაბონი



გაიანა



გამბია



განა



გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკა



გერმანიის
ფედერაციული
რესპუბლიკა



გვატემალა



გვინეა-ბისაუ



გვინეა



გრენადა



დანია



დასავლეთი სამოა



დიდი ბრიტანეთი



დომინიკელთა რესპუბლიკა



ეგვიპტის
არაბთა რესპუბლიკა



ეთიოპია



ეკვადორი



ეკვატორული გვინეა



ერაყი



ესპანეთი



ვანუატუ *



ვატიკანი



ვენესუელა



ვიეტნამი



ზაირი



ზამბია



ზემო ვოლტა




ზიმბაბვე **



თურქეთი



იამაიკა



იაპონია



იემენის არაბთა რესპუბლიკა



იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა



ინდოეთი



ინდონეზია



იორდანია



ირანი



ირლანდია



ისლანდია



ისრაელი



იტალია



იუგოსლავია

* სახელმწიფო 1980 იცლისიდან. მდებარეობს. ახალი ჰებრიდის კუნძულებზე

** 1980 აპრილამდე სამხრეთი როდეზია



კამერუნი



კამბუჩია



კანადა



კატარი




კენია



კვიპროსი



კოლუმბია



კომორის კუნძულები



კონგო



კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა



კოსტა-რიკა



კუბა




ლაოსი



ლესოთო



ლიბანი




ლიბერია



ლიბია



ლიხტენშტაინი



ლუქსემბურგი



მადაგასკარი



მავრიკი



მავრიტანია



მალავი



მალაიზია



მალდივის რესპუბლიკა



მალი



მალტა



მაროკო



მექსიკა



მოზამბიკი



მონაკო



მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა



მწვანე კონცხის რესპუბლიკა



ნაურუ



ნეპალი



ნიგერი



ნიგერია




ნიდერლანდი



ნიკარაგუა



ნორვეგია



ომანი



პაკისტანი



პანამა



პაპუა-ახალი გვინეა



პარაგვაი




პერუ



პოლონეთი



პორტუგალია



რუანდა



რუმინეთი



სანმარინო




სალვადორი



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა



სან–მარინო



სან–ტომე და პრინსიპი



საუდის არაბეთი



საფრანგეთი



სიერა–ლეონე




სენეგალი



სენტ–ვინსენტი და გრენადინები



სენტ–ლუსია



სვაზილენდი



სინგაპური



სირია



სოლომონის კუნძულები



სომალი




სპილოს ძვლის ნაპირი



სუდანი



სურინამი



ტაილანდი





ტანზანია



ტოგო



ტონგა



ტრინიდადი და ტობაგო



ტუნისი



უგანდა



უნგრეთი



ურუგვაი




ფილიპინები




ფიჯი



ქუვეითი



შვეიცარია



შრი-ლანკა



ჩადი



ჩეხოსლოვაკია



ჩილე



ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა



ჯიბუტი



ჯაიტი

აბრუნებენ, ვიდრე გარეს, რაც აუცილებელი პირობაა ორი თვლის სრიალის გარეშე გორვისათვის. მძიმე მანქანების, თვითმფრინავებისა და გემების ს-ს ურთიერთებენ მაძლიერებლებს (ბუსტერებს).

საჭიე, თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები შენობა. ს. შეიძლება იყოს კაპიტალური და მსუბუქი ტიპისა. კაპიტ. ს. აგურის ან ქვის ნაგებობაა, აქვს დათბუნებული ჭერი, ფანჯრები და თიხა-ქვიშით მოტკეპნილი იატაკი, გასათბობი და შემწოვ-გამწოვი სავენტილაციო მოწყობილობა. ცალკეა გრენის საინკუბაციო სათავსი, სარდაფს იყენებენ ფოთლის შესანახად. ს-ს აშენებენ თუთის პლანტაციასთან და დასახლ. პუნქტთან ახლოს. თავისუფალ დროს მას იყენებენ საწყობად, საშრობად, საფრინველედ და სხვა დანიშნულებით.

მსუბუქი ტიპის ს. კარკასული, თიხით გალესილი ნაგებობაა, რ-იც არ თბება. იყენებენ მხოლოდ უფროსი ასაკის (IV—V) ჭიების გამოსაკვებად. ამჟამად აგებენ მსუბუქი ტიპის დასაშლელ-ასაწყობ, კარკასულ და ჰაერსაყრდენიან ს-ებსაც, რ-ებიც დამზადებულია სინთეზური მასალისაგან და აქვს ტემპ-რის, ტენიანობისა და აერაციის სარეგულაციო მოწყობილობა. *ა. ძნელაძე.*

საჭილაოს ზეთანხმება 1804, შეთანხმება იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს შორის. დას. საქართველოში რუსთა ^ ჯარის ახ. ნაწილების შესვლამდე საქართვ. მთავარ მმართველის გენ. პ. ციციანოვის წარმომადგენელს იმერეთის სამეფოში პ. ლიტვინოვს დავალებული ჰქონდა შეერიგებინა იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარძ, რ-ებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ლეჩხუმს. ამ მიზნით ლიტვინოვმა საჭილაოში ერთმანეთს შეახვედრა სოლომონ II და გრიგოლ დადიანი და მშვიდობის პირობა დაადებინა — ისინი ლეჩხუმის საკითხში რუს. იმპერატორის გადაწყვეტილებას უნდა დალოდებოდნენ და განუხრელად შეესრულებინათ იგი; სხვა სადავო საკითხებიც მშვიდობიანი მორიგებით უნდა გადაეჭრათ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში შუამავლად რუს. ხელისუფალს მიმართავდნენ. ს. შ-ის არც ერთი პირობა არ განხორციელებულა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 2, თბ., 1965; ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794—1810 წწ.), «მაცნე», 1967, № 3. *გ. ნარსია.*

საჭირნახულო (სამართ. ისტ.), ოჯახის გაყრისას ნაამგარი პირისათვის მეტი შრომისა და გარჯის ასანაზღაურებლად განკუთვნილი განსაკუთრებული წილი გასაყოფ ქონებაში გვიანდ. ფეოდალურ საქართველოში. ს-დ პირს შეეძლო მოეთხოვა ის ქონება, რაზედაც იგი „ჭირნახული" იყო (ყმა, მიწა, განსაზღვრული ნივთი), ან სხვა სახის ანაზღაურება მიეღო. გარდა გაყრისა, ს-ს მიცემის საკითხს სასამართლოც წყვეტდა სადავო ქონებაზე გაწეული შრომისათვის (მაგ., მიწაზე დავისას — ბალ-ვენახის გაშენებისათვის, ყმაზე ან ნაგებობაზე გაწეული ხარჯებისათვის და სხვ.). გაწეული შრომისა თუ ხარჯის შეფასებისა და ს-ს ოდენობის განსაზღვრისათვის საქმის მცოდნე პირებს იწვევდნენ.

წყარო: ვახტანგ VI-ის სამართალი, მმ. 103, 246, წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963. *მ. კეკელია.*

საჭმლით მოწამვლა, დაავადება, რ-იც ვითარდება ბუნებრივად შხამიანი, ბაქტერიული შხამების შემცველი ან შხამიანი მინარევებით გაბინძურებული პროდუქტების საკვებად ხმარების შედეგად. ბაქტერიული ს. მ., ანუ კვებითი ტოქსიკოინფექციები მწვავე, ზოგჯერ მასობრივი ხასიათის ინფექციური დაავადებებია, რ-ებსაც იწვევს კუჭ-ნაწლავში პათოგენური მიკრობების ან მათი ტოქსინების ^-აკვებთან ერთად მოხვედრა. ამ ჯგუფს განეკუთვნება სალმონელებით, დიზენტერიის ჩხირით, სტაფილოკოკით, აგრეთვე სხვ. მიკრობებით გამოწვეული დაავადებანი და *ბოტულიზმი.* სალმონელებით გამოწვეული დაავადებანი უმეტესად ვითარდება დაინფიცირებული ხორცის, ხორცისა და თევზის პროდუქტების (ფარში, დაბალი ხარისხის მოხარშული ძეხვი), კვერცხის, უფრო იშვიათად რძისა და მისი პროდუქტების ხმარებისას; ნაწლავის ჩხირით გამოწვეული დაავადებების მიზეზია საკვებად ისეთი კერძების (სალათი, კატლეტები, თევზი) ხმარება, რ-თა დაინფიცირება ხდება დამზადების შემდეგ. სტაფილოკოკური ინფექციის წყაროა დაავადებული (ანგინით, რინიტით, ფურუნკულოზით) ადამიანი და ბაქტერიამტარებელი, აგრეთვე მასტიტით დაავადებული საქონელი.

არაბაქტერიული ს. მ. შეიძლება გამოიწვიოს შხამიანმა სოკომ, მცენარემ, მისმა თესლმა, ფესვმა, ნაყოფმა (მაგ., ლენცოფას თესლი, ბელადონას ნაყოფი), აგრეთვე კულტ. მცენარემ (მაგ., ატმის, გარგარის, ნუშის, ალუბლის თესლი შეიცავს გლუკოზიდ ამიგდალინს, რ-იც კუჭის წვენის ფერმენტების ზეგავლენით იხლიჩება და წარმოიქმნება წყალბადციანმჟავა), უმმა ან ცუდად მოხარშულმა ლობიომ; ს. მ-ს განეკუთვნება აგრეთვე *ერგოტიზმი* და სხვ.

ქიმ. ნივთიერებებით (ორგ. და არაორგ.) გამოწვეული მოწამვლიდან უმეტესად გვხვდება დარიშხანით, სპილენძით (მოუკალავი სპილენძის ჭურჭელი) და სხვ. ქიმ. ნივთიერებებით მოწამვლა.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: მწვავე მოწამვლის დროს პირველი დახმარებაა კუჭის ამორეცხვა, პირღებინების გამოწვევა, საფაღარათო საშუალებანი, ოყნა, სუნთქვის ან გულის მუშაობის შეჩერებისას — ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი (იხ. *რეანიმაცია*); ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს სტაციონარში.

პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: სანიტ.-ჰიგიენური და ვეტ.-სანიტ. წესების დაცვა პროდუქტების ტრანსპორტირების, დამზადების, შენახვისა და რეალიზაციის დროს; წამლებისა და ძლიერად მოქმედი ნივთიერებების შენახვა ბავშვისათვის უსაფრთხო ადგილებში; კვების საწარმოთა მუშაკების პროფილაქტ. გამოკვლევა ბაქტერიამტარებლობაზე და სხვ.


საჭმლის მომნელებელი სისტემა, საჭმლის მომნელებელი აპარატი, ადამიანისა და ცხოველების იმ ორგანოების ერთობლიობა, რ-თა მოქმედებითაც ხდება *საჭმლის მონელება.* მონელების ეტაპების შესაბამისად ს. მ. ს. იყოფა განყ-ებებად (*პირის ღრუ, ხაბა, საყლაპავი მილი, კუჭი,* საკუთრივ ნაწლავი, რ-იც თავის მხრივ იყოფა წვრილ, მსხვილ და უკანა ანუ სწორ ნაწლავად). მომნელებელი აპარატი იწყება პირით და ბოლოვდება ანალური ხვრელით (არა აქვთ მხოლოდ ღრუბლებს, ნაწლავღრუიანებსა და ბრტყელ ჭიებს). ევოლუციის პროცესში მომნელებელი აპარატის შიგნითა ზედაპირი ამა თუ იმ გზით მნიშვნელოვნად დიდდება, რაც საკვების მაქსიმალურ მოხმარებას უზრუნველყოფს (იხ. *ნაწლავები*). მონელების პროცესის შემადგენელი ცალკეული ფუნქციების გაძლიერების შედეგად ს. მ. ს-ის ნაწილები დამოუკიდებელ ორგანოებად ვითარდებიან (*სანერწყვე ჯირკვლები, კუჭქვეშა ჯირკვალი* ანუ *პანკრეასი, ღვიძლი* და სხვ.), მეორე მხრით, მის შემადგენლობაში შედიან ორგანოები, რ-ებიც წარმოშობით მას არ ეკუთვნიან (სხვადასხვა ტიპის *ჯბები, კბილები* და სხვ.). ხშირად ს. მ. ს-ს უკავშირდება სუნთქვის ორგანოები (*ლაყუჩები, ფილტვები*), ზოგჯერ კი გამომყოფი ორგანოებიც (მწერების მალპიგის მილები).

ეკოლ. პირობების შესაბამისად, სხვადასხვა ცხოველის ს. მ. ს-ის აღნაგობა ზედმიწევნით მრავალგვარია. ხშირად რედუქციას განიცდის მისი ესა თუ ის ნაწილი, ზოგჯერ კი მთელი ს. მ. ს. (*თასმისებური ჭიები, პოგონოფორები*). *ლ. ნათაძე.*


საჭმლის მომნელებელი ფერმენტები, საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოთა მიერ გამომუშავებული ფერმენტები, რ-ებიც *საჭმლის მონელების* პროცესში საკვებს შლიან; მიეკუთვნებიან *ჰიდროლაზებს.* ს. მ. შ-ია მაგ., პროტეაზები (*პეფსინი, ტრიფსინი, ქიმოტრიფსინი, ამინოპეპტიდაზები,* კარბოქსიპეპტიდაზები, ტრი- და დიპეპტიდაზები და სხვ.), რ-ებიც ცილებს შლიან ამინომჟავებად, ესთერაზები (მაგ., *ლიპაზა,* კარბოქსილესთერაზა), რ-ებიც შლიან გრძელ და მოკლეჯაჭვიან ეთერებს, ნუკლეინის მჟავებს; *ამილაზები,* რ-ებიც შლიან სახამებელსა და გლიკოგენს; α- და β-გლიკოზიდაზები, რ-ებიც შლიან ოლიგო- და დისაქარიდებს; კარბოჰიდრაზები — ნახშირწყლების ჰიდროლიზის სხვადასხვა სტადიის კატალიზატორები. ზოგ ცხოველს (გემის ჭია, მერქნიჭამია, მრავალი მიკროორგანიზმი) აქვს ფერმენტული ცელულაზა, რ-იც შლის ცელულოზას. ს. მ. შ. მოქმედებენ უჯრედის გარეთ, უჯრედში ან უჯრედის მემბრანის შედგენილობაში და მონაწილეობენ საჭმლის მონელების სხვადასხვა პროცესში. სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ფერმენტი აქვს, რაც საკვების ხასიათსა და ცხოველის ცხოვრების ნირზეა დამოკიდებული. ყველაზე მრავალფეროვანი ს. მ. შ. აქვთ ნაირჭამია ცხოველებს. ზოგი სახეობა იყენებს სიმბიონტების ან თვითონ საკვების ს. მ. შ-ს. ბევრ პარაზიტს საერთოდ არა აქვს მნიშვნელოვანი ს. მ. შ-ის უმრავლესობა და, როგორც წესი, მასპინძლის საჭმლის მონელების პროდუქტებით იკვებება. *ა. ბაკურაძე.*

საჭმლის მონელება, რთული ფიზიოლოგიური პროცესი, რ-იც უზრუნველყოფს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრილი საკვების ისეთ ფიზიკურ და ქიმიურ გარდაქმნებს, რ-თა შედეგადაც საკვებიდან გამოცალკევდება საყუათო ნივთიერებები, იშლება სახეობრივ სპეციფიკურობას მოკლებულ მარტივ. წყალში ხსნად ნივთიერებებად და გამზადდება სისხლსა და ლიმფაში შესაწოვად. საკვების ფიზ. გარდაქმნა ნიშნავს მის დაქუცმაცებას, საჭმლის მომნელებელ წვენებთან შერევასა და წყალში გახსნას, ხოლო ქიმ. გარდაქმნა — საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სპეციალიზებულ უჯრედებში წარმოშობილი ჰიდროლიზური ფერმენტების—*ჰიდროლაზების* გავლენით საყუათო ნივთიერებების—ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ეტაპურ გარდაქმნას, რ-ის დროსაც მაღალმოლეკულური ნივთიერებები წყლის თანაობისას დაბალმოლეკულურ წყალში ხსნად ნივთიერებებად იშლება (იხ. *ჰიდროლიზი*). ჰიდროლიზის შედეგად წარმოშობილი შედარებით მარტივი ნივთიერებები შეიწოვება და მათგან კვლავ მიიღება რთული ორგ. ნივთიერებანი ან მოიხმარება ენერგეტ. მიზნებისათვის.

ცნობილია 3 ტიპის ს. მ.: უჯრედშიგა, უჯრედგარეთა (დისტანტური) და მემბრანული (უჯრედის ზედაპირთან). უ ჯ-



საჭმლის მომნელებელი სისტემა. ზოგი ხერხემლიანის საჭმლის მომნელებელი სისტემა (სქემა): ა—მიქსინის; ბ—ზვიგენის; გ—ქორჭილასი; დ—ბაყაყის; ე—მტრედის ; ვ—ბოცვრის; ზ—ადამიანის; 1—წვრილი ნაწლავი; 2—მსხვილი ნაწლავი; 3—ბრმა ნაწლავი; 4—საყლაპავი; 5—კუჭქვეშა ჯირკვალი; 6—ღვიძლი; 7—კუჭი; 8—კლოაკა; 9—ნაღვლის ბუშტი; 10—ნაწლავები; 11 — სპირალური სარქველი.



საჭევარი. ნახ. 2. თვითმფრინავ ილ - 62-ის შეწყვილებული საჭევარი.

ქრების სათლელი და ნახაზზე ცალკეული მცდარად დატანილი ხაზების წასაშლელი სამარჯვები და სხვ.

დამხმარე სამარჯვებს იყენებენ ნახაზზე ნიშნების, ასოებისა და ციფრების დასაწერად. ხელით საწერ სამარჯვებს მიეკუთვნება სხვადასხვა კონსტრუქციის ფანქრები, ბურთულიანი კალმისტრები, ფლომასტერები და რაპიდოგრაფები. ხაზვის პროცესში იყენებენ სხვადასხვა სახაზავს (მ. შ. რაისშინებს, სამკუთხედებს) ხაზვის დასაჩქარებლად — სახაზავ ტრაფარეტებს, მრუდთარგებს და სხვ.

სახაზავ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ავტომატიზაციის საშუალებები კონსტრუქტორის შრომისნაყოფიერებისა და ხარისხის ასამაღლებელი ავტომატიზებული მოწყობილობებია (პლანშეტური და რულონური ტიპის გრაფოამგებები, გრაფ. დისპლეები და სხვ.). ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენება აჩქარებს დაპროექტების პროცესს.

ლიტ.: Алферов А. В., Механизация и автоматизация проектно-конструкторских работ, М., 1973.

სახაზინო ბილეთები, ხაზინის მიერ გამოშვებული ოქროზე დაუბურდავებელი ქაღალდის ფული, ხაზინის მოკლევადიანი ვალდებულება, რ-იც მიმოქცევაში შედის. I მსოფლიო ომამდე (1914—18) მკვეთრად განსხვავდებოდა საბანკო ბილეთებისაგან, რ-იც ოქროზე ხურდავდებოდა. ს. ბ-ს I მსოფლიო ომში და ომის შემდგომ პერიოდში იყენებდნენ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

სსრკ-ში ს. ბ-ს იყენებენ საბანკო ბილეთების დასახურდავებლად და მცირე გადასახადების მომსახურებისათვის; ს. ბ-ს (1, 3 ,5 მან.) უშვებს სახბანკი. მისი მიღება საბანკო ბილეთების თანაბრად, სავალდებულოა ქვეყნის ფარგლებში.

სახაზინო ვექსილი, სახელმწიფო ხაზინის ან სხვა საფინანსო ორგანოს მიერ ქაღალდის ფულის მიმოქცევაში გაშვება. იგი ორი სახისაა: საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო. საბიუჯეტო ს. ვ. უმთავრესად გამოიყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ხოლო არასაბიუჯეტო ს. ვ-ს მიმართავენ მაშინ, როცა ფულის გამოშვება დაკავშირებულია ბრუნვისათვის საჭირო საგადასახდელო საშუალებების უზრუნველყოფასთან.

კაპიტალიზმის დროს ს. ვ. ატარებს ინფლაციურ ხასიათს. ბურჟ. სახელმწიფოების ს. ვ-ს მიმართავენ ფინანს. მეურნ. მოშლის პერიოდში, განსაკუთრებით ომის დროს, როცა სახელმწ. ბიუჯეტის შემოსავალი არ არის საკმარისი მთავრობის ხარჯების დასაფარავად. ს. ვ. მშრომელთა ძარცვისა და დამატებითი რესურსების მობილიზაციის ერთ-ერთი შენიღბული ხერხია. 1929—33 წწ. მსოფლიო ეკონ. კრიზისის შემდეგ, საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად საბანკნოტო ემისიის გამოყენებამ ფაქტობრივად წაშალა განსხვავება ამ უკანასკნელსა და ს. ვ-ს შორის (იხ. *სახაზინო ბილეთები*). ს. ვ-ს სოციალ. ქვეყნებში აქვს პრინციპულად განსხვავებული ბუნება. იგი ხორციელდება იმავე საკრედიტო საფუძველზე, როგორც საბანკო ბილეთების ემისია. ქაღალდის ფულს უშვებს *სახელმწიფო ბანკი* სსრ კავშირისა. *ნ. ბერძენაძე.*

სახაზო ჯრეხერი, მძლავრი არტილერიით შეიარაღებული კრეისერების ქვეკლასი. გაჩნდა I მსოფლიო ომის (1914—18) წინ. წყალწყვა 20-იდან 42 ათ. ტ-მდე, შეიარაღება—280—380 *მმ* კალიბრის 6—9 კოშკის ზარბაზანი, 113 *მმ* 20-მდე ქვემეხი, სიჩქარე — 29—30 კვანძი (53,7—55,5 *კმ/სთ*). იყენებდნენ I მსოფლიო ომის დროს. ამჟამად ხმარებიდან გამოსულია.

სახაზო ნაოსნობა, იხ. *საზღვაო (საგზაო) ვაჭრობა.*

სახაზო ძრავა, ელექტრომძრავა, რ-ის მაგნიტური სისტემის ერთ-ერთი ელემენტი განრთულია და ამ ელემენტს მსრბოლი მაგნიტური ველის შემქმნელი გაშლილი გრაგნილი აქვს, მეორე ელემენტი კი წარმოადგენს მიმმართველს, რ-იც უზრუნველყოფს ძრავას მოძრავი ნაწილის ხაზოვან გადაადგილებას. მუდმივი დენის ს. ძ. შედგება გრაგნილიანი ღუზისა და განრთული მაგნიტსადენისაგან, რ-საც აქვს აგზნების გრაგნილები (მოძრავი ნაწილი). ს. ძ. გამოირჩევა მოძრავი ნაწილის გადაადგილების სიჩქარის რეგულირების სიმარტივით. ცვლადი დენის ს. ძ. შეიძლება იყოს ასინქრონული და სინქრონული. ასინქრონული ს. ძ-ს უგრაგნილო ღუზა მაგრდება ძრავას მოძრავი ნაწილის გადაადგილების გზის გასწვრივ. ასინქრონული ს. ძ-ს გამოყენება ყველაზე პერსპექტიულია სატრანსპ. მანქანების წევის ელექტროამძრავებში მაგნ. და საჰაერო ბალიშებთან ერთად, რაც საშუალებას იძლევა მატარებლების მოძრაობის სიჩქარე გაიზარდოს 450—500 *კმ/სთ*-მდე. სინქრონულ ს. ძ-ებს პრაქტიკულად არ ამზადებენ. ამ ძრავას მთავარი ღირსება ის არის, რომ აქვს დიდი ძალვების შექმნის უნარი, ამის შედეგად კი — მნიშვნელოვანი აჩქარებების განვითარების შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით სასურველია სატრანსპ. საშუალებებისათვის. ამასთან ერთად ძრავას კონსტრუქციაში არ შედის რედუქტორი.

სახაზო ხომალდი, 1. XVII ს.—XIX ს. I ნახ. აფრიან სამხედრო ფლოტში დიდი ზომის სამანძიანი საბრძოლო ხომალდი 2 — 3 საართ. გემბანით; შეიარაღებული იყო 60—135 ქვემეხით, ეკიპაჟი — 800 კაცი. 2. ორთქლის ჯვაშნოსან ფლოტში ყველაზე დიდი ზომის საართ. წყალზედა ხომალდების ერთ-ერთი ძირითადი კლასი, რ-ის დანიშნულება იყო საზღვ. ბრძოლაში ყველა კლასის ხომალდების განადგურება, აგრეთვე სახმელეთო ობიექტებზე მძლავრი საართ. დარტყმების მიყენება. გაჩნდა რუს.-იაპ. ომის (1904—05) შემდეგ. თავდაპირველად ეწოდებოდა დრედნოუტები. იყენებდნენ I მსოფლიო ომის (1914—18) დროს. II მსოფლიო ომის (1939—45) დასაწყისში. ს. ხ-ს ჰქონდა სტანდარტული 20—64 ათ. ტ-მდე წყალწყვა, შეიარაღება — მთავარი კალიბრის (280—460 *მმ*) 12-მდე კოშკის ქვემეხი, 100—127 კალიბრის ნაღმსაწინააღმ, საზენიტო ან უნივერსალური არტილ. 20-მდე ქვემეხი, 80—140 საზენიტო მცირეკალიბრიანი ავტომ. ზარბაზანი და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვეველები. სვლის სიჩქარე — 20—35 კვანძი (37—64,8 *კმ/სთ*). ეკიპაჟი მომანობის დროს 1500—2800 კაცი. ხომალდზე იყო 1—3 თვითმფრინავი.

სახაზო ჯარი, 1. XVIII—XIX სს. სხვადასხვა ქვეყნის არმიებში ს. ჯ-ს უწოდებდნენ მძიმე (სახაზო) ქვეით ჯარს, რ-იც შემჭიდროებული მწყობრით მოქმედებდა და მტერს მთავარ დარტყმას აყენებდა. სახაზოს ზოგჯერ მძიმე კავალერიას უწოდებდნენ. 2. რუსეთის არმიის ჯარები, რ-ებიც ძირითადად სასაზღვრო გამაგრებულ ხაზებს იცავდნენ. ს. ჯ. გაჩნდა 1804-შ 1856-თვის რუსეთში 84 სახაზო ბატალიო ნი იყო, მ. შ. 18 ქართული.


სახალვაშო, სოფელი აჭარის ასსრ ქო ბულეთის რ-ში (ჩაქვის სადაბო საბჭო შავი ზღვის სანაპიროზე. ზ. დ. 30 *მ*, ქო ბულეთიდან 19 *კმ*, ჩაქვიდან (უახლოეს რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. მ. კალინინის სახ ქედა ულიანოვკის კოლ-ბა (მეჩაიეობა მეციტრუსეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კ კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

სახალინი, კუნძული აზიის აღმ. ნაპირ თან, შედის რსფსრ სახალინის ოლქში. გარ აკრავს იაპ. და ოხოტის ზღვები. კონტი ნენტისაგან გამოყოფილია თათრის სრუ ტით, კ. ჰოკაიდოდან (იაპონია) — ლაპ რუზის სრუტით. გადაჭიმულია 948 *კმ*-ზე საშ. სიგანე დაახლ. 100 *კმ*, მინ. — 6 *კმ* მდე. ფართ. 76,4 ათ. *კმ*². ს-ის ნაპირებ სუსტადაა შეჭრილ-შემოჭრილი. დიდი ყუ რეებია ანივა და მოთმინებისა, ნ.-კ-ები შმიდტის, მოთმინების, ტონინ-ანივისა დ კრილიონისა. რელიეფში ჭარბობს დაბ ლი და საშ. სიმაღლის მთები (*აღმოსავლეთ სახალინის მთები, დასავლეთ სახალინის მთები*), ჩრდ. ნაწილში დაბლობი ვ კეა (*ჩრდილოეთ სახალინის ვაკე*).

ს. *დასავლეთ-წყნაროკეანური გეოსინ კლინური სარტყლის* ნაწილია. გამოიყო ფა აღმ. და დას. სახალინის მერიდიანულ ანტიკლინორიუმები, რ-თა შორის არ ცენტრ. სახალინის სინკლინორიუმი. აღ სახალინის ანტიკლინორიუმში გაშიშ ლებულია პალეოზოური ქანები, და სახალინისაში — ზედაცარცული, ცე ტრ. სახალინის სინკლინორიუმი კი აგებ ლია ნეოგენური ქანებით. დამახასიათებ ლია მაღალი სეისმურობა. ს. მდიდარ ნავთობით, აირითა და ქვანახშირით.

ჰავა ზომიერი, მუსონურია. ზამთარ აქ უფრო ცივი და ნოტიო იცის, ვიდრე კო ტინენტზე (ხშირია ქარბუქი და დიდ თოვლი). ზაფხული გრილი და წვიმიანი ნალექები დას. სანაპიროზე 600—800 *მ* მდეა წელიწადში, ცენტრ. ნაწილში 500—750 *მმ*, ჩრდ-ში — 400 *მმ*-ზე მეტ მთაში—1000—1200 *მმ*. იანვ. საშ. ტემპ-რ ჩრდ-ით —17,7-იდან —24,5°C-მდე, სამხ ით —6,2-იდან —12°C-მდე; აგვ. საშ. ტემ რა ჩრდ-ით 10,9-იდან 15,6°C-მდე, სამხ ით 16-იდან 19,6°C-მდე. ზაფხულობი სანაპიროს გასწვრივ ხშირია ნისლი, შ მოდგომაზე—ტაიფუნი. მდ-ები მთისა წყალუხვი, გაძგიფულია ნოემბ.-დეკ-იდ აპრ.-მაისამდე. ბევრია პატარა ტბა ჭაობი. გახეთარებულია ტორფიან-ჭაო ბიანი გაეწრებული და მდელოს ალუვ ური ნიადაგები. მთაში მურა-ტაიგი სუსტად გაეწრებული და მთის ეწერი ნი დაგებია. ს-ის ჩრდ. ნაწილში უმთავრესა მეჩხერი ლარიქსის ტაიგაა. ჩ. გ. 52°-ი სამხრ-ით ჭარბობს აიანის ნაძვისა და სა ლინის სოჭის ტყეები; სამხრ.-დას. ნაწილ გვხვდება ფართოფოთლოვანები და ლიან ბი. მთის ზედა სარტყელში ქვის არყი და ქონდარა ფიჭვის რაყებია, დას. სახ ლინის მთებში — კურილის ბამბუკი. ცხ ველებიდან ბინადრობს დათვი, მელა, ს მურავი, სიასამური, ციყვი, ჩრდილოეთ ირემი და სხვ. სანაპირო კლდეებზე „ფრი ველთა ბაზრებია", ნაპირებთან გვხვდე ზღვის კატა, ზღვის ძაღლი, ზღვის წავ მდ-ებში ბევრია თევზი.

ს-ის ძვ. მოსახლეობას შეადგენდნ აინები, ნივხები, ევენკები. ევროპელებ ს. აღმოაჩინეს XVII ს-ში, 1848—49 ნეველსკოის ექსპედიციამ დაადგინა, რ ს. კუნძულია. რუს.-იაპ. შეთანხმებებ 1855 ს. გამოცხადდა საერთო სამფლობ ლოდ, 1875 — რუს. საკუთრებად. XIX 60-იანი წწ. ბოლოდან 1906-მდე კატორღ სა და გადასახლებების ადგილი იყო. 19 პორტსმუთის საზავო ხელშეკრულები სამხრ. ს. იაპონიას მიეკუთვნა. 19 ჩრდ. ს-ის ტერიტორიაზე შეიქმნა სახ ლინის ოლქი. 1918—20 ჩრდ. ს. თეთრგვა



სახაზავ-საკონსტრუქტორო ტექნიკა. მხაზველ-კონსტრუქტორის სამუშაო ადგილი: 1 — საწერი მაგიდა; 2—სახაზავი ტრაფარეტი; 3 — საცნობარო მასალები; 4—ფანქარი; 5 — კლავიშებიანი გამომთველელი მანქანა; 6—საფარგლე; 7—ტელეფონი; 8 — ქაღალდების კალათა; 9—რაპიდოგრაფი; 10 — სანამზადო მაგიდა; 11—დამყოფი (კუთხსაზომი) თავი; 12—ძასშტაბიანი სახაზავები; 13—სახაზავი ხელსაწყო; 14—სახაზავი დაფა; 15—სახაზავი იარაღის დასაწყობი ადგილი; 16—სახაზავი დაფის დასამაგრებელი დგარი; 17—სახაზავი დაფის დახრილობის შესაცველი სახელური; 18—სახაზავი დაფის ასაწევ-დასაწევი სატერფული; 19—მაგიდის გამოსაწევი ნაწილი; 20—სკამი; 21—საცნობარო მასალებისა და სახაზავი იარაღის შესანახი უჯრები.

დიელების ხელში იყო, ხოლო 1920—25 — იაპონია გაბატონდა. 1925 მაისიდან რსფსრ ჰქმადგენლობაშია. 1932 შეიქმნა სახალინის ოლქი ჯერ შორეული აღმოსავლეთის, 1938-იდან კი ხაბაროვსკის მხარის შემადგენლობაში. 1945 საბჭ. არმიამ გაათავისუფლა სამხრ. ს. 1945 ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციათა შეთანხმებების ძალით სამხრ. ს. გადაეცა სსრკ-ს. 1947 წ. 2 იანვ. შეიქმნა *სახალინის ოლქი*.

სახალინის ოლქი, რსფსრ-ის შემადგენლობაში. შეიქმნა 1932 წ. 20 ოქტ. და შედიოდა შორეული აღმოსავლეთის მხარეში, 1938-იდან — ხაბაროვსკის მხარეში, ხოლო 1947 წ. 2 იანვრიდან — დამოუკიდებელი ოლქია. ოლქის შემადგენლობაშია კ. *სახალინი, კურილის კუნძულები*, -ები მონერონი და სელაპისა. ოლქს აკავია ოხოტისა და იაპ. ზღვები. ფართ. 87,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 676 ათ. მკხ. (1982), ქედან ქალაქში ცხოვრობს 83%. ცენტრი — ქ. იუჟნო-სახალინსკი. ეკონომიკაში წამყვანია მრეწველობა. განვითარებულია თევზის, ტყის, ხის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, ნავთობგადასამუშ., ირის, ქვანახშირის, საშენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ. მრეწვ. ასრულებს მთავრესად სარემონტო სამუშაოებს. სოფ. ეურნეობაში წამყვანია მეცხოველეობა. ოჰყავთ კარტოფილი, ბოსტნეული, საკები კულტურები. განვითარებულია მებაღეობა. მისდევენ ნადირთმოშენებას (უმთავრესად წავი). განვითარებულია საზღვ., ამდ. და რკინიგზის ტრანსპორტი. კ. სახალინი კონტინენტთან დაკავშირებულია საზღვ. ბორნით. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).


სახალინის ყურე, ყურე ოხოტის ზღვაში, სდ. ამურის შესართავის ჩრდ-ით მდებარე კონტინენტის ნაპირსა და კ. სახალინის ჩრდ. დაბოლოებას შორის. სამხრ-ით გადადის ამურის ლიმანში. სიგრძე 160 *კმ*-დე. ნაპირები უმთავრესად დაბალია. დაყინულია ნოემბრიდან ივნ-მდე. მოქცევა ერასწორი ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1—3 *მ*. თევზჭერა. აღმ. ნაპირზეა ნავსადგური მოსკალვო.

სახალიფო, ფეოდალური არაბულ-მუსლიმანური სახელმწიფო, რ-საც ხალიფა თავთაურობდა. ს-ს საფუძველი იყო *მაჰმადის* მიერ VII ს. დასაწყისში დას. არაბეთში შექმნილი მუსლ. თემი (უმა). 632—656 ს-ს დედაქალაქი იყო მედინა. *არაბთა დაპყრობითი ომების* შედეგად ს. გადაიქცა ზესამაზარ სახელმწიფოდ, რ-შიც შედიოდა: არაბ. ნ.-კ., ერაყი, ირანი, ამიერკავკ. დიდი ნაწილი, შუა აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ჩრდ. აფრიკა, პირენეს ნ.-კ-ის დიდი ნაწილი, სინდი. *ომაიანთა* (661—750) და *აბასიანთა* (750—1258) დროს ს-ში გაბატონებული იყო ფეოდ. ურთიერთობა მონათმფლობელური და პატრიარქალური წყობის ძლიერი გადმონაშთებით. ს-ში VII—X სს-ში ჩამოყალიბდა მრავალფეროვანი კულტურა, რ-საც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კულტურის განვითარებაში (იხ. *არაბული კულტურა*). IX ს-ში შემავალი სახელმწიფოების ეკონ. განვითარების სხვადასხვა დონემ, ს-ს ოლქებს შორის სუსტმა სამეურნეო კავშირებმა, სახ.-განმათ., ანტიფეოდ. აჯანყებებმა, ხალიფოს კონცენტრაციამ სამხ. და ადგილ. ხალიფომფლობელ ფეოდ. დიდგვაროვანთა ხელში, ფეოდალთა შინაომებმა ერთიანი ს-ს დაშლა და ფაქტობრივად დამოუკიდებელი ფეოდ. სახელმწიფოებისა და საამიროების წარმოქმნა განაპირობეს: ტულუნიდების ეგვიპტეში (868), ალიდების ტაბარისტანში (864), ტაჰირიდების ხორასანში (821), საფარიდების სისტანში (861), სამანიდების მავერანაჰრში (819) და სხვ. X ს. I ნახევრიდან ერთიანი ს-ს ნაცვლად უკვე არსებობდა: *ფატიმიდების* (909—1171), ესპანეთში ომაიანთა (929—1031, იხ. *კორდოვის სახალიფო*) და აბასიანთა ს-ები. ფატიმიდებისა და ომაიანთა ს-ებში ხალიფას ეკუთვნოდა საერო და სას. ხელისუფლება, ხოლო აბასიანთა ხალიფამ *ბუიდების* მიერ 945 ბაღდადის დაპყრობის შემდეგ საბოლოოდ დაკარგა საერო ხელისუფლება. მისი ადგილი სულთანმა დაიჭირა. 1055 ბუიდები ბაღდადში *სელჩუკებმა* შეცვალეს. 1258 მონღოლთა ჯარების მიერ ბაღდადის აღების შემდეგ აბასიანთა ს-მ არსებობა შეწყვიტა. თურქთა მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე 1517-მდე აბასიანი ხალიფები ცხოვრობდნენ კაიროში, მათ არ ჰქონდათ პოლიტ. ხელისუფლება, მაგრამ თაყვანისმ. რელიგ. ავტორიტეტის გამო აკურთხებდნენ ეგვიპტის, ზოგჯერ სხვა მუსლ. ქვეყნების საერო გამგებლებს — სულთნებს. მოგვიანებით თავიანთ თავს ხალიფებს უწოდებდნენ თურქ. სულთნები, რ-ებიც ამტკიცებდნენ, თითქოს ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ აბასიანთა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა კაიროში გადასცა მათ ეს ტიტული.

ლიტ.: Бартольд В. В., Соч., т. 6, М., 1966, с. 15—139; 303—319; Беляев Е. А., Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье, 2 изд., М., 1966; Надирадзе Л. И., К вопросу о феодализме в завоеванных арабами странах, კრ.: Современная историография стран зарубежного Востока, М., 1975.

სახალხო ავანგარდის პარტია კოსტა-რიკისა (სპპ; El Partido Vanguardia Popular), დაარსდა 1931 ივნ. 1943-მდე ეწოდებოდა კომუნისტური პარტია. 1931 წ. 16 ივნ. მოწვეულ I კონფერენციაზე, რ-იც ყრილობის ხასიათს ატარებდა, მიიღეს პარტიის წესდება და პროგრამული დეკლარაცია. 1948 სამოქალაქო ომის დროს სპპ სათავეში ედგა რეაქციის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას, რის გამოც აკრძალეს, მაგრამ 1950 აღადგინა ძალები და ლეგალური მუშაობის გზები გამოიყენა. სპპ ინიციატორია ცენტრ. ამერიკის კომუნისტური პარტიების ყოველწლიური თათბირებისა (1961-იდან). სპპ-ის დელეგაციები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, 1969, მოსკოვი). სპპ დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზეა აგებული. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს შორის ცკ და პოლიტ. კომისია (პოლიტბიურო). სპპ ცკ-ის გენ. მდივანია მ. მორა ვალვერდე. ცენტრ. ორგანო — გაზ. „ლიბერტადი" („La Libertad").

სახალხო აჯანყება 1945 წ ე ხ ი ი ს მ ი წ ე ბ ი ო, ანტიფაშისტური აჯანყება 1945 მაისში, გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ საბჭ. არმიის დამამთავრებელი ბრძოლების პერიოდში. ხელმძღვანელობდა ჩეხოსლ. კომპარტიის (ჩკპ) არალეგალური ცკ და ჩეხიის ეროვნული საბჭო (ჩეს), რ-იც ჩკპ-ის ინიციატივით შეიქმნა აპრილში წინააღმდეგობის მოძრაობის



ყველა ძირითადი ჯგუფის წარმომადგენლებისაგან. 5 მაისს პრაღელებმა განაიარაღეს იქ მყოფი გერმ. ჯარების ნაწილები და მოახდინეს მათი ბლოკირება, დაიკავეს იარაღის საწყობები, ცენტრ. სატელეფონო სადგური, ელექტროსადგური, ქარხნები და ვაგზლების უმრავლესობა. 5 მაისს ძალაუფლება ჩეხიის მიწებში გადაეცა ჩეს-ს, როგორც ეროვნ. ფრონტის მთავრობის (შეიქმნა 1945 აპრ. ქ. კოშიცეში) წარმომადგენელს. ჩეს-ს მოწოდებით დაიწყო ბარიკადების მშენებლობა. ჰიტლერელთა მთავარსარდლობამ პრაღის წინააღმდეგ გადაისროლა სს-ის ჯავშანსატანკო დივიზია და ავიაცია, ქალაქსა და მის გარეუბნებში გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. სამხ.-ტექ. უპირატესობამ ფაშისტებს საშუალება მისცა დაეკავებინათ პრაღის რამდენიმე რ-ნი. ქალაქს განადგურება ემუქრებოდა. საბჭ. ჯარებმა დაიწყეს შეტევა ჩეხი ხალხის დასახმარებლად. *პრაღის ოპერაციის* (1945) შედეგად 9 მაისს პრაღა გაათავისუფლეს. აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩეხოსლოვაკიაში სახ.-დემოკრ. წყობილების დამყარებაში.

„სახალხო გაზეთი“, ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, საქართვ. სოც.-ფედერალისტების პარტიის ცენტრ. ორგანო; გამოდიოდა 1909—14 თბილისში სხვადასხვა დროს. რედ.-გამომცემლები იყვნენ: დ. ხრამელაშვილი, ი. სონღულაშვილი, ნ. კურდღელაშვილი, ა. ჭუმბაძე. 1910—14 გაზეთს ჰქონდა სურათებიანი დამატება.

„სახალხო განათლება“, ქართული გაზეთი, საქ. სსრ განათლების სამინისტროს, საქ. სსრ პროფტექ. განათლების სახელმწ. კომიტეტისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნ. დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართვ. რესპ. კომიტეტის ორგანო. გამოდის თბილისში, კვირაში 2-ჯერ. დაარსდა 1928. „ს. ბ-ის“ ადრინდ. სახელწოდებებია „განათლების მუშაკი“ (1928—31), „კომუნისტური განათლება“ (1932—38), „საბჭოთა მასწავლებელი“ (1938—41, 1945—47), 1947-იდან — „ს. ბ.“ სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ გ. სოსელია, ვ. გოგოლაძე, გ. გაბისონია, გ. საჯაია, 1965-იდან — ნ. შველიძე. გაზეთი აქვეყნებს სტატიებს, რ-ებიც შეეხება საყოველთაო-სავალდებულო განათლების, კომუნისტური აღზრდისა და სწავლების ხარისხის ამაღლების პრობლემებს. პროპაგანდას უწევს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას და სხვ. ტირაჟი 65 ათ. (1985). *ნ. შველიძე.*

სახალხო განათლების სისტემა, სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ერთობლიობა, რ-იც უზრუნველყოფს ხალხის განათლებასა და აღზრდას სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ჩამოყალიბდა XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში. მანამდე კი სასკოლო განათლება მხოლოდ მონათმფლობელთა და ფეოდ. კლასების პრივილეგია იყო. კაპიტალიზმის პირობებში წოდებრივი სკოლა შეიცვალა კლასობრივი სკოლით, პროლეტ. მოძრაობამ და კაპიტალ. წარმოების განვითარების დონემ აიძულა ბურჟუაზია მოეხდინა ს. ბ. ს-ის დემოკრატიზაცია.

სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში უზრუნველყოფილია განათლების ყველა სახისა და ფორმის მისაწვდომობა, ერთიანი სკოლის პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება, ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფა, ყველა საფეხურზე უფასო სწავლება, პროფტექ., უმაღლეს და საშ. სპეც. სასწავლებლებში სახელმწ. სტიპენდიები, მოსახლ. განათლების მაღალი დონე მიუხედავად რასობრივი და ეროვნ. კუთვნილებისა, ქონებრივი და სოც. მდგომარეობისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

არსებობს ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და შერეული ს. ბ. ს. სსრკ-ში ს. ბ. ს-ის აგების პრინციპები და ამოცანები განსაზღვრულია „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებით“ (1973 წ. 19 ივლ.). იხ. აგრეთვე საქეყანათმცოდნეო სტატიების ქვეთავი განათლება.

სახალხო-განმათავისუფლებელი ომი იუგოსლავიაში 1941—45, იუგოსლავიის ხალხების ეროვნ.-განმათ. ომი გერმანელი ოკუპანტებისა და იუგოსლ. კოლაბორაციონალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალ. იუგოსლავიის შესაქმნელად. ბრძოლას მეთაურობდა იუგოსლ. კომუნისტური პარტია (იკპ). 1941 წ. 6 აპრ. ფაშისტური გერმანია თავს დაესხა იუგოსლავიას. 1941 წ. 10 აპრ. ზაგრებში შეიქმნა სამხ. კომიტეტი იკპ-ის გენ. მდივნის ი. ბროზ ტიტოს მეთაურობით. მებრძოლი ანტიფაშისტური ჯგუფების მოქმედება იუგოსლ. ყველა რ-ნში დაიწყო. 1941 წ. 27 ივნ. იკპ ცკ-მა შექმნა სახ. განმათ. პარტიზანული რაზმების მთავარი შტაბი (სექტ-იდან უმაღლესი შტაბი), რ-საც სათაეში ი. ბროზ ტიტო ჩაუდგა. 1941 წ. 4 ივლ. იკპ ცკ პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ. ივლ-ში აჯანყებამ იუგოსლ. ბევრი რაიონი მოიცვა, განთავისუფლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა სახ.-განმათ. კომიტეტები, რ-იც არალეგალურად მოქმედებდნენ. 1941 წ. 22 დეკ. ჩამოყალიბდა პირველი რეგულარული სამხ. ნაწილი — I პროლეტარული ბრიგადა. 1942 ნოემბ. შეიქმნა *იუგოსლავიის ხალხთა განთავისუფლების ანტიფაშისტური ჟეჩე*, რ-ის აღმასკომი იუგოსლ. პირველი სახ. მთავრობის ჩანასახი იყო. იტალ. კაპიტულაციის (1943 წ. სექტემბერი) შემდეგ სახ. განმათ. მოძრაობამ ახ. წარმატებები მოიპოვა. 1943 ბოლოსათვის განთავისუფლებული იყო იუგოსლ. ტერიტ. დაახლ. ნახევარი. სსრკ დიდ დახმარებას უწევდა იუგოსლ. სახ.-განმათ. მოძრაობას. 1945 წ. 15 მაისისათვის იუგოსლ. არმიამ (დაახლ. 800 ათ. კაცი) დაამთავრა ტერიტ. გათავისუფლება. 1945 წ. 29 ნოემბ. დამფუძნებელმა კრებამ (ბელგრადში) საბოლოოდ მოსპო მონარქია და იუგოსლავია ფედერ. სახ. რესპუბლიკად გამოაცხადა. (იხ. აგრეთვე სტ. *ბელგრადის ოპერაცია 1944*).

სახალხო-განმათავისუფლებელი ომი ჩინეთში 1946—49, სამოქალაქო ომი იმ ძალებს შორის, რ-თაც ხელმძღვანელობდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტია (ჩკპ) და მემამულეთა და კომპრადორული ბურჟ. კონტრრევ. ბლოკი *გომინდანის* მეთაურობით. ამ პარტიას აქტიურად უჭერდა მხარს აშშ. ეს ომი გახდა სახ.-დემოკრ. რევ. საბოლოო ეტაპი, რ-მაც მოსპო ფეოდ.-მემამულური უღელი და უცხოური იმპერიალიზმის ძალმომრეობა ჩინეთში. II მსოფლიო ომის (1939—45) ბოლოს ფაქტობრივად არსებობდა 2 ჩინეთი: ტერიტორია, რ-საც კონტროლს უწევდა გომინდანი, და განთავისუფლებული რ-ნები, რ-ებსაც განაგებდა ჩკპ. სამოქალაქო ომის გაჩაღებამდე მთელ ჩინეთში ჩკპ და გომინდანი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას აშშ-ის დიპლომატიის საშუალებით (1945 აგვ. ბოლო — 1946 იენ.). ამ მოლაპარაკების დროს საომარი მოქმედება გომინდანის ჯარსა და სახ. შეიარაღებულ ძალებს შორის (1947-იდან სახ.-განმათ. არმია—სგა) სხვადასხვა რ-ნში ფაქტობრივად არ შეწყვეტილა. 1946 ზაფხულში გომინდანის მთავრობამ აშშ-ის მხარდაჭერით დაიწყო საერთო შეტევა განთავისუფლებულ რ-ნებზე. 26 ივნ. გომინდანის 300 ათ-იანი ჯარი გადავიდა იერიშზე ცენტრ. დაბლობის განთავისუფლებულ რ-ნში, სადაც იმყოფებოდა სგა-ის მხოლოდ 60 ათ-იანი შენაერთი. რიცხვობრივმა უპირატესობამ, შეიარაღებამ, ასევე აშშ-ის დახმარებამ ხელი შეუწყო გომინდანის ჯარის წარმატებას, განთავისუფლებული რ-ნების, მათ შორის ქ. ნანის (1947, მარტი) დაკავებას, სადაც მ ნამდე ჩკპ ცკ იმყოფებოდა. ომის პირველ წელს გომინდანის ჯარმა 4,3 მლნ. ჯ რისკაციდან 1 მლნ. დაკარგა, სგა 1,2 მლნ. ჯარისკაცს ითვლიდა.

1947 სგა კონტრშეტევაზე გადავიდ წარმატების წინაპირობა იყო ხალხ მხარდაჭერა, გომინდანის ზურგის რღვევ სგა-ის მარჯვე სტრატეგია და ტაქტიკ 1946 განთავისუფლებულ რ-ნებში ჩკპ აგრ. რეფორმა გაატარა, რამაც უზრუ ველყო გლეხობის აქტიური მონაწილ ობა რევოლუციაში (სგა-ის რიცხვის ზრდ მონაწილეობა პარტიზ. მოძრაობაში გ მინდანის ზურგში). მოსახლეობის ფართ ფენები გამოდიოდნენ გომინდანის რ-ნებ ჩან კაიშის, ანტიეროვნული პოლიტიკ წინააღმდეგ, რ-იც ხელს უწყობდა აშშ ჩინეთის დამონებაში (ხელშეკრულება ჩ ნეთსა და აშშ შორის 1946 წ. 4 ნოემბ. სხვ.), ხალხი უკმაყოფილების გამოთქვამდ ექსპლუატაციის გაძლიერების გამო. გ მინდანის მიერ დაკავებულ რ-ნებში იმარ თებოდა მასობრივი გაფიცვები, დემონსტ რაციები, გლეხთა აჯანყებანი. გომინდა ნის რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიცი ძლიერდებოდა ეროვნ. ბურჟუაზიისა დ ინტელიგენციის რიგებში, იქმნებოდა ერ თიანი სახ.-დემოკრ. ფრონტი ჩკპ-ის ხელ მძღვანელობით. ჩინეთის დემოკრ. ძალები გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საწინ დარი საბჭ. ხალხისა და მსოფლიოს პროგრ ძალების მხარდაჭერა გახდა. 1945 აგვ წითელმა არმიამ გაანადგურა იაპ. კვან ტუნის არმია და ხელსაყრელი პირობებ შექმნა ჩინეთის რევ. გამარჯვებისათვის საბჭ. სარდლობამ გადასცა სგა-ს იარაღ რ-იც მას ნადავლის სახით ერგო. საბჭ სპეციალისტები დაეხმარნენ რკინიგზი ტრანსპ. და მრეწვ. აღდგენაში. ჩრდ.-აღ ჩინეთის განთავისუფლებული რ-ნები ჩ ნეთში ფაქტობრივად სგა-ის მთავარ სტრა ტეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა სახ განმათავისუფლებელ ომში. სსრკ არ აძ ლევდა აშშ-ს საშუალებას, რომ გაეფართო ვებინა თავისი ინტერვენცია ჩინეთში ჩინეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდ იმ ფაქტორსაც, რომ სსრკ მოითხოვდა ჩი ნეთიდან აშშ-ის ჯარის გაყვანას.

1947 ზაფხულში სგა-მ კონტრშეტევ დაიწყო. 1948—49 მან ჩაატარა 3 გადამწყ ვეტი ოპერაცია. I — ლიაოსი-შენიანი ოპერაცია სამხრ. მანჯურიაში, 1948 12 სექტ.—2 ნოემბ. ჩაატარეს ჩრდ.-აღ ჩინეთის სგა-ის ჯარებმა ლინ ბიაოს მეთა ურობით. გომინდანის არმიის მანჯური ული დაჯგუფება მთლიანად განადგურდ II ოპერაციაა ხუაიხეს ბრძოლა აღმ. ჩ ნეთში, 1948 წ. 7 ნოემბ. — 1949 წ. 1 იანვ., განადგურდა მტრის 22 არმია (5 დივიზია). სგა-ის ჯარები გომინდანი დედაქალაქ ნანკინს მიუახლოვდნენ. II ოპერაცია—1948 წ. 5 დეკ.—1949 წ. 31 იან ჩრდ. ჩინეთის ჯარებმა გაანადგურეს მტრი მსხვილი დაჯგუფებები ჩრდ. ჩინეთში.

1949 აპრ-ში პეკინში ჩკპ-ისა და გ მინდანის დელეგაციებს შორის მოლაპარა კების შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას ს მოქალაქო ომის შეწყვეტის შესახებ პირობების საფუძველზე, რ-ებიც გომინ დანს ჩკპ-მ წაუყენა, მაგრამ გომინდანი მთავრობამ უარყო ეს ხელშეკრულება 1949 წ. 21 აპრ. სგა-მ განაახლა შეტე და გადალახა მდინარე იანძი. 1950 დას წყისში ძირითადად განთავისუფლდა ჩ ნეთის კონტინენტური ნაწილი (ტიბეტ გარდა). გომინდანელები გაიქცნენ კ. ტა ვანზე, რ-საც იცავდნენ აშშ-ის შეიარაღ ბული ძალები. ს.- ბ. ო. ჩ-ში რევ. ძალებ გამარჯვებით დამთავრდა. 1949 წ. 3 სექტ. ჩინეთის სახ. პოლიტ. საკონსულ ტაციო საბჭომ შექმნა ცენტრ. სახ. მთავ რობა. 1949 წ. 1 ოქტ. გამოცხადდა ჩინ

თის სახ. რესპუბლიკა. ჩინეთში გაიმარჯვა სახ.-დემოკრ. რევოლუციამ.

ლიტ.: Новейшая история Китая. 1917—1970, М., 1972.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია, ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, დემოკრატიული რევოლუცია, რ-იც პროლეტარიატის ჰეგემონიით მიმდინარეობს და შეიძლება გადაიზარდოს სოციალ. რევოლუციაში. II მსოფლიო ომში (1939—45) სსრკ-ის ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ შექმნილ ვითარებაში ს.-დ. რ. ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში მოხდა. ს.-დ. რ-ის საფუძველი ამ ქვეყნებში იყო 2 სხვადასხვაგვარი წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, წინააღმდეგობა საწარმოო ძალთა განვითარებასა და დროშეჭმულ. ფეოდ. (ნახევრად ფეოდ.) საწარმოო ურთიერთობათა შორის, მეორე მხრივ — ეროვნ. ეკონ. ინტერესებსა და უცხოურ კაპიტალსა და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი კაპიტალის ძალმომრეობასთან. ზოგიერთ ამ ქვეყანაში შემორჩენილი ფეოდალურ-ბატონყმური წესების გადმონაშთების მოსპობა შესაძლებელი გახდა კომუნისტების მეთაურობით იმპერიალიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად. ს.-დ. რ. არ წარმოადგენს სოციალ. ტიპის რევოლუციას და ამასთან არსებითად განსხვავდება ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციისაგან. ს.-დ. რ-ის განმასხვავებელი ნიშანია მისი მამოძრავებელი ძალის შემადგენლობა (ფართო სახალხო ფრონტი პროლეტარიატის, გლეხობის, წვრილი ბურჟ. და სხვ. ფენების შემადგენლობით). იგი ეყრდნობა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, რ-საც სათავეში უდგას მარქსისტულ-ლენინური პარტია. პროლეტარიატის ჰეგემონია განსაზღვრავს ს.-დ. რ-ის რადიკალურ ხასიათს და აძლევს მას სოციალიზმისაკენ წინსვლის საშუალებას. ს.-დ. რ-ის ყველაზე მთავარი განმასხვავებელი ნიშანია მის მიერ დამყარებული ხელისუფლების პროლეტარიატის ხელმძღვანელობით განხორციელებული რევ. კლასების რევ.-დემოკრ. დიქტატურის — ხასიათი. იგი წარმოადგენს უმრავლესობის ხელისუფლებას, რ-იც ახორციელებს ღრმა სოც.-ეკონ. გარდაქმნებს მოსახლ. უმრავლესობის ინტერესების სასარგებლოდ. ს.-დ. რ-ის შედეგად შეიქმნა ფართო სახ. ფრონტის მთავრობები, რ-თა შემადგენლობაში შედიოდნენ პროლეტარიატის, გლეხობის, წვრილი ბურჟ. და ბურჟ. წარმომადგენლები. სოც.-ეკონ. გარდაქმნები განხორციელდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ს.-დ. რ-ის შედეგად დამყარებული ხელისუფლება თავისი კლასობრივი ბასიათით განსხვავდება პროლეტარიატის დიქტატურისაგან. ამ დემოკრ. ხელისუფლების ჩარჩოებში პროლეტარიატისა და მისი მარქსისტულ-ლენინური პარტიის ჰეგემონია პროლეტარიატის დიქტატურის ჩანასახს წარმოადგენს. ს.-დ. რ-ის მიზანია ჩამოაყალიბოს ახ. დემოკრ. წყობილება, რ-იც არ წარმოადგენს რაიმე გარკვეულ საზ.-ეკონ. ფორმაციას, ეს არის გარდამავალი წყობა. განხორციელებულ გარდაქმნათა შედეგად სოფლად წარმოიშობა არა სოციალ., არამედ წვრილბურჟუაზიული წყობა, მეორე მხრივ, მრეწველობასა და ვაჭრობაში ნაციონალიზაციის შედეგად იქმნება სახელმწ. საკუთრება, რ-ის საფუძველზედაც შენდება სოციალ. ტენდენციის საწარმოო ურთიერთობანი. ს.-დ. რ. ბმთავრებს ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციის ამოცანებს, ამავე დროს წარმოშობს ძირითადად სოციალ. ტიპის წყობას და სახალხო სახელმწიფოს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის გზას ქმნის.

ი. კობახიძე.

სახალხო დეპუტატების საბჭოები, ს ა ბ ჭ ო ე ბ ი, სსრკ-ში სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები. სსრკ კონსტ. თანახმად (მ. 2), სსრკ-ში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ხალხი სახელმწ. ხელისუფლებას ახორციელებს ს. დ. ს-ის მეშვეობით, რ-ებიც სსრკ პოლიტ. საფუძველს შეადგენენ. ყველა სხვა სახელმწ. ორგანო ექვემდებარება ს. დ. ს-ის კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

ვ. ი. ლენინმა საბჭოები მიიჩნია რუს. მშრომელი მასების ორგანიზაციის ახ. საუკეთესო პოლიტ. ფორმად პროლეტ. რევ. და *პროლეტარიატის დიქტატურისათვის* ბრძოლაში, ახსნა, შეცნიერულად დაასაბუთა მათი კლასობრივი არსი და დაახასიათა ისინი, როგორც სოციალ. ტიპის სახელმწიფოს საფუძველი.

საბჭოები რუს. 1905—07 რევოლუციაში მასების რევ. შემოქმედების შედეგად წარმოიქმნენ მუშათა საგაფიცვო ბრძოლის ხელმძღვ. ორგანოების სახით და გახდნენ ან., რევ. ხელისუფლების ჩანასახოვანი ორგანოები. ერთ-ერთი პირველი საბჭო იყო რწმუნებულთა საბჭო, რ-იც ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცულმა მუშებმა შექმნეს (1905 მაისი). 1905 შემოდგომაზე *მუშათა დეპუტატების საბჭოები* ბევრ ქალაქსა და მუშათა ახალშენში ჩამოყალიბდა. ზოგან სოფლებში (განსაკუთრებით საქართველოში) საბჭოების როლს *გლეხთა კომიტეტები* ასრულებდნენ. ზოგიერთი საბჭო ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ აჯანყებას (მაგ., მოსკოვში, სადაც დაიწყო *დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებები;* აქ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც შეიქმნა). წვრილბურჟ. პარტიების საბჭოები ადგილ. თვითმმართველობის ორგანოებად მიაჩნდათ.

1905—07 რევ. დამარცხების შემდეგ საბჭოების არსებობა შეწყდა, მაგრამ იმდროინდელ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1917 თებ. ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციასა და დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციაში. თებ. რევ. დროს ყველაგან შექმნილი საბჭოები იყვნენ პროლეტარიატისა და გლეხობის რევ.-დემოკრ. დიქტატურის ორგანოები. ახლა, როგორც წესი, ერთიანი *მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები* ყალიბდებოდა. იქმნებოდა აგრეთვე *გლეხთა დეპუტატების საბჭოები.* ოქტ. რევ. წინა დღეებში 1429 მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო მოქმედებდა. პირველად შეიქმნა პეტროგრ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო (27 თებ.), რ-იც ფაქტობრივად სრულიად რუს. საბჭოს როლს ასრულებდა. მას, ისევე როგორც ქვეყნის საბჭოების დიდ უმრავლესობას, დაუსრულებელი რეპრესიებით ბოლშევიკების პარტიის დასუსტებისა და მოსახლ. წვრილბურჟ. ფენების გააქტიურების პირობებში მენშევიკები და ესერები ჩაუდგნენ სათავეში.

საბჭოები, როგორც მშრომელთა ხელისუფლება, ერთბაშად იწყებდნენ მოქმედებას ბურჟ. *დროებითი მთავრობის* პარალელურად და მის წინააღმდეგ. ლენინმა *აპრილის თეზისებში* ჩამოაყალიბა დებულება რუსეთში საბჭოების რესპ. როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ და წამოაყენა ლოზუნგი *„მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“* ეს ლოზუნგი *ორხელისუფლებიანობის* დამთავრების შემდეგ დროებით მოიხსნა; იგი კვლავ აღდგა, როცა ბოლშევიკებმა საბჭოებში უმრავლესობა მოიპოვეს.

ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ განხორციელდა საბჭოების რესპ. ლენინური იდეა. *სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობის* გადაწყვეტილებით მთელი ძალაუფლება ქვეყანაში გადაეცა კომპარტიის ხელმძღვანელობით მოქმედ *მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს,* რ-ებიც გახდნენ მუშათა და გლეხთა სოციალ. სახელმწიფოს პოლიტ. საფუძველი. საბჭოების ერთიანი სისტემა, რ-შიც ორგანიზაციულად გაფორმდა პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი — მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, პირველად რსფსრ 1918 კონსტიტუციით განმტკიცდა.

საბჭოების სისტემა ეროვნ. სახელმწიფოებრივ მშენებლობასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. სუვერენულ საბჭ. რესპუბლიკებში ამ სისტემის უმაღლესი რგოლი იყო რესპ. *საბჭოების ყრილობა,* რ-იც ირჩევდა შესაბამის *ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს* (იხ. მაგ., *სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.* საქართველოში სოციალ. რევ. წინა პერიოდში საბჭოების ბოლშევიზაცია ვერ განხორციელდა, ისინი ბოლომდე დარჩნენ ბურჟ. ხელისუფლების უსუსურ დანამატად; საქართველოს საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად გამოცხადებიდან 1 წლის მანძილზე, საბჭოების არჩევნების ჩატარებამდე, მთელი ძალაუფლება *რევოლუციური კომიტეტების* ხელში იყო). საბჭოების სისტემაში აისახა მრავალეროვანი საკავშ. სახელმწიფოს სტრუქტურა, რაც სსრკ 1924 კონსტიტუციით განმტკიცდა (იხ. სტ. *საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობა, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი*).

საბჭოები საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელებისთვისაც სამაგალითო გახდა. საბჭოების ტიპის ორგანიზაციები ოქტ. რევ. გავლენით დას. ევროპაში დაწყებული რევ. აღმავლობის პროცესში შექმნეს უნგრ., გერმ., ავსტრ., ჩეხოსლ. მუშებმა; 20-იანი წწ. ბოლოს წარმოიქმნა *საბჭოები* ჩინეთში.

სოციალ. საზ. ურთიერთობათა გამარჯვებამ საბჭ. კავშირში 30-იანი წწ. შუა ხანებში განაპირობა სახელმწ. ხელისუფლების ცენტრ. და ადგილ. ორგანოების სისტემის შეცვლა, რაც განისაზღვრა სსრკ 1936 კონსტიტუციით. *მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები,* რ-ებიც იქმნებოდა არასავსებით საყოველთაო და თანასწორი, მრავალსაფეხურიანი და ღია არჩევნების მეშვეობით, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებად გარდაიქმნა.

1977 საკავშ. კონსტიტუციამ, რ-იც მიიღო სსრკ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიამ, ასახა საბჭ. საზ-ბაში წინა კონსტ. მიღებიდან 4 ათწლეულის მანძილზე მომხდარი ღრმა ცვლილებები. მან სახელმწ. ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების სახელწ. „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“ „სახალხო დეპუტატების საბჭოებით“ შეცვალა. ახ. სახელწ. უფრო ნათლად გამოხატავს საბჭ. სახელმწიფოს საერთო-სახ. ბუნებას, საბჭოების ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრ. პრინციპებს. კონსტიტუციამ მკაფიოდ განსაზღვრა და საკანონმდებლო წესით განამტკიცა ს. დ. ს-ის ადგილი და ფუნქციები სოციალ. დემოკრატიის სისტემაში.

სოციალ. დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება საბჭ. საზ-ბის პოლიტ. სისტემის ძირითადი მიმართულებაა და იგი, უწინარეს ყოვლისა, ს. დ. ს-ის ფორმირებისა და საქმიანობის დემოკრ. პრინციპების შემდგომი განვითარებით გამოიხატება. ს. დ. ს. იქმნება თანამიმდევრული დემოკრ. საარჩევნო უფლების საწყისებზე, რაც მოიცავს აგრეთვე კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას — ამომრჩევლებმა ნებისმიერ დროს გაიწვიონ დეპუტატი, რ-იც მათ ნდობას ვერ გაამართლებს. ს. დ. ს-ის ყველა რგოლს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ. არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი

საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. სსრკ ყველა მოქალაქეს, რ-საც 18 წელი შეუსრულდა (კანონით დადგენილი წესით შეშლილებად ცნობილთ გარდა), უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული. საკავშ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩევა სსრკ მოქალაქე, რ-საც 21 წელი შეუსრულდა. დეპუტატები ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან ს. კ. ს-ში. მათ უზრუნველყოფილი აქვთ თავიანთ უფლება-მოვალეობათა დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები. სახ. დეპუტატის ძირითადი უფლებამოსილებანი შეტანილია სსრკ 1977 კონსტიტუციაში. ს. კ. ს-ის საქმიანობა წარიმართება საკითხების კოლექტ., თავისუფალი, საქმიანი განხილვა-გადაწყვეტისა და საჯაროობის საფუძველზე. დემოკრატიზმის გამოვლინებაა ს. კ. ს-სა და მათი დეპუტატების, საბჭოების მიერ შექმნილი ორგანოების რეგულარული ანგარიშგება მოსახლ. წინაშე, მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმა საბჭ. ორგანოების მუშაობაში.

საბჭ. წესწყობილება თავიდან ბოლომდე ნამდვილი სახ. წარმომადგენლობის მთლიანი და მწყობრი სისტემაა. სსრკ მთელი სახელმწ. აპარატი ს. კ. ს-ს ემყარება. სახელმწ. ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ ს. კ. ს.: სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები—*უმაღლესი საბჭო* სსრ კავშირისა, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები (მაგ., *უმაღლესი საბჭო* საქართველოს სსრ-ისა), ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები; სახელმწ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოები — სახ. დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოები, ავტონ. ოლქების, ავტონ. ოკრუგების სახ. დეპუტატთა საბჭოები, სახ. დეპუტატთა რ-ნული, საქალაქო, ქ-ების რ-ნული, სადაბო და სასოფლო საბჭოები. სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ხოლო ადგილ. საბჭოებისა — ორ-ნახევარი წელი.

ს. კ. ს. უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწ., სამეურნეო და სოც.-კულტ. მშენებლობის ყველა დარგს. საბჭოების ცალკეული რგოლის სამართ. მდგომარეობა, მათი კომპეტენციის მოცულობა და შინაარსი სხვადასხვაა. ს. კ. ს-ის სისტემას სათავეში უდგას სსრკ უმაღლესი საბჭო, რ-იც მთელი საბჭ. ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო და მისი სუვერენიტეტის მატარებელია. იგი სსრკ სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, უფლებამოსილია წყვეტდეს ყველა საკითხს, რ-იც საკავშ. კონსტიტუციით სსრკ გამგებლობას განეკუთვნება. მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია შესაბამისი უმაღლესი საბჭოები. სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები ირჩევენ თავიანთ მუდმივმოქმედ ორგანოებს — შესაბამისი უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს (იხ. *უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი* სსრ კავშირისა, *უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი* საქართველოს სსრ-ისა). სსრკ სახელმწ. ხელისუფლების ერთიანი სისტემის ყველაზე მრავალრიცხოვანი რგოლია ადგილ. საბჭოები. ისინი თავიანთ სამოქმედო ადმ.-ტერ. ერთეულებში წყვეტენ ადგილ. მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწ. ინტერესებისა და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად. ამასთანავე, ადგილ. საბჭოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლსა და კოორდინაციას უწევენ ყველა ორგანიზაციის საქმიანობას მოცულ ტერიტორიაზე. საბჭოების საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციული ფორმაა სესია. ს. კ. ს. ირჩევენ დამხმარე ორგანოებს მუდმივი კომისიების სახით, ქმნიან თავიანთ აღმასრ. და განმკარგულებელ ორგანოებს — სსრკ მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე ადგილ. საბჭოების აღმასრ. კომიტეტებს.

საბჭოების სისტემა განასახიერებს ფედერ. სახელმწიფოს ძირითად ნიშან-თვისებებს. უმაღლესი საბჭოები მოქმედებენ სახელმწიფოების — სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების ტერიტორიებზე. საკავშ. უმაღლეს საბჭოსთან ერთად ამჟამად სსრკ-ში არსებობს მოკავშირე რესპუბლიკების 15 და ავტონ. რესპუბლიკების 20 უმაღლესი საბჭო, ავტონ. ოლქების 8 და ავტონ. ოკრუგების 10 ს. კ. ს. თავისი არსით ს. კ. ს. ღრმად ინტერნაც. სახელმწ. ორგანოებია, რ-ებშიც საბჭ. ხალხის საერთო ინტერესები შეზამბულია დიდი და პატარა ერებისა თუ ეროვნებების სპეციფ. ეროვნ. ინტერესებთან. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა, კერძოდ, სსრკ უმაღლესი საბჭოს 2 თანასწორუფლებიანი და დეპუტატთა თანაბარრიცხვიანი პალატა — კავშირის საბჭო (ასახავს მთელი საბჭ. ხალხის საერთო ინტერესებს) და ეროვნებათა საბჭო (უზრუნველყოფს სსრკ ყველა ერისა და ეროვნების სპეციფ. ეროვნ. ინტერესების გათვალისწინებას). ეროვნებათა საბჭოში თითოეული მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკისაგან, ავტონ. ოლქისა და ოკრუგისაგან შესაბამისად 32, 11, 5 და 1 დეპ. წარიგზავნება.

ს. კ. ს. განასახიერებენ მშრომელი ხალხის სრულძალაუფლებიანობას და განსაზღვრავენ მის სახელწოდებას — საბჭ. ხელისუფლება. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოები საერთო-სახ. სახელმწიფოს ორგანოებია, რ-ებისთვისაც დამახასიათებელია მასებთან მჭიდრო კავშირი, მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზ-ბის საქმეთა მართვაში. სკკპ განვითარებული სოციალიზმის პოლიტ. სისტემაში საბჭოების მდგომარეობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფას და ს. კ. ს-ის გავლენის ზრდას საზ. ცხოვრების ყველა სფეროში. *ი. ფუტკარაძე.*

სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგა, პოლიტიკური ორგანიზაცია ბირმაში. შეიქმნა 1944 აგვ-ში, როგორც იაპონელ ოკუპანტებთან ბრძოლის ერთიანი ეროვნული ფრონტი. მასში გაერთიანდნენ წვრილბურჟ.-პროლეტ. და პატრ.-ბურჟ. ძალები. ლიგის უშუალო ორგანიზატორები იყვნენ: კომპარტია, სახ. რევ. პარტია (1945-იდან სოციალ. პარტია) და ეროვნ. არმია. პრეზიდენტები — აუნ სანი (1944—47) და უ ნუ (1947—58). 1945 მარტში ლიგა სათავეში ჩაუდგა ეროვნ. ანტიიაპ. ამბოხებას, შემდგომში გამოვიდა ბირმაში დაბრუნებული ინგლ. იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ბირმის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1948 წ. 4 იანვ.) ლიგამ ჩამოაყალიბა ეროვნ. მთავრობა. 1958-მდე იგი წარმოადგენდა მმართველ პოლიტ. კოალიციას, რ-იც ძირითადად იცავდა ბურჟ.-მემამულური წრეების ინტერესებს, 1946-იდან შინაგანი განხეთქილებების შედეგად მასში გამოიყო 2 ფრაქცია (1958). ერთ-ერთი მათგანი უ ნუს მეთაურობით საკავშ. პარტიად იქცა, ხოლო მეორემ, შემარჯვენე სოციალისტთა მეთაურობით, ძვ. სახელწ. შეინარჩუნა. ლიგის ორივე ფრაქციამ ლეგალური არსებობა შეწყვიტა 1964 ბირმაში ერთპარტიული სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით.

სახალხო თეატრები სსრკ-ში, თეატრალური თვითშემოქმედების უმაღლესი ფორმა, მისი განვითარების ახ. და უმაღლესი საფეხური. ს. თ. იქმნება შემოქმედებითად მომწიფებული, მუდმივად მოქმედი დრამ. და მუს. (ოპერა, ბალეტი, მუსკომედია) კოლექტივების ბაზაზე, რ-თაც ჰყავთ მუდმივი დასები და აქვთ იდეურად გამართული რეპერტუარი. პირველი ს. თ-ის სახელმწ. ქსელი შეიქმნა 1959, პროფკავშირული ქსლისა კი — 1961. 1960 ს. თ-ის წოდება მიიღო დაახლ. 100-მა თეატრ. და კულტსახლების კოლექტივმა. დრამ. თეატრებთან ერთად არსებობს მუს. ს. თ.: საოპერო—მოსკ. რკინიგზის კულტ. ცენტრ. სახლთან, ნოვოჩერკასკის პოლიტექ. ინტთან; საბალეტო—ნოვოკუზნეცკის მეტალურგთა კულტსახლთან და სხვ. ოპერისა და ბალეტის—„როსტოვსელმაშის" კულტსახლთან (დონის როსტოვი); ოპერეტისა და მუსკომედიის — მენავთობეთა კულტსახლთან (ორსკი), ულიანოვსკის ავტოქარხანასთან და სხვ. სოფლებში, მუშათა დასახლებებში, რ-ნულ ცენტრებში, ქ-ებში, სადაც პროფ. თეატრი არ არის, ს. თ. მაყურებელს აცნობს თეატრ. ხელოვნებას, კეთილ გავლენას ახდენს საზ.-კულტ. ცხოვრებაზე. ზოგიერთი ს. თ. ცდილობს შექმნას საკუთარი ორიგინ. რეპერტუარი, იყენებს დოკუმენტებს, პუბლიცისტიკას. ს. თ-ს ხელმძღვანელობენ მთავარი რეჟისორი და მხატვარი, სადადგმო ნაწილის ხელმძღვანელი. მუს. ს. თ-ს ჰყავთ დირიჟორი, ლოტბარი, საბალეტოს — ბალეტმაისტერი. მსახიობები და სპექტაკლის სხვა მონაწილენი (გამწთებლები, დეკორატორები და სხვ.) მუშაობენ საზ. საწყისებზე. ს. თ-ს ხშირად აქვთ სათეატრო სტუდიები, სადაც ეუფლებიან მსახიობის ოსტატობას. 1974 მუშაობდა 2 ათ-ზე მეტი ს. თ. (მ. შ. 50 მუს.).

საქართველოში პირველი ს. თ. შეიქმნა 1959. ამჟამად მოქმედი 57 ს. თ-იდან 32 კულტსახლებთან მუშაობს, 24 ეკუთვნის პროფკავშირს, ხოლო 1 საუწყებოა. 54 ს. თ. ტერიტორიულად მდებარეობს ქალაქში, 3 კი — სოფელში. საქართველოში 1 ქურთული (ქ. თბილისი), 1 აფხ. (ტყვარჩელში), 1 სომხ. (ბოგდანოვკაში) და 2 ოსური (1 თბილისში და 1 კვაისაში) ს. თ-ია. ს. თ-ის სპექტაკლები ეხმაურება თანამედროვეობის აქტ. და ისტ.-რევ. თემატიკას. სპექტაკლებს შორის აღსანიშნავია ა. ჩხაიძის „დღის წესრიგშია ერთი საკითხი" (სამტრედია), „დაბრუნება" (ზესტაფონი) და „შთამომავლობა" (დუშეთი), რ. თაბუკაშვილის „დაბადება" (ბორჯომი), ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება" (ხარაგაული), ი. აბდულინის „მეცამეტე თავმჯდომარე" (ტყიბული), ა. შალუტაშვილის „კატასტროფა" (ცაგერი), ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" (ცხაკაია), შ. როყვას „ნდობა" (გალი), ა. გეწაძის „თოფი და სიყვარული" (წულუკიძე), გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი" (ჩოხატაური) და სხვ. ს. თ-ში მუშაობენ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები, რ-თაც დამთავრებული აქვთ საქართვ. თეატრ. ინ-ტი. ს. თ-ში მუშაობდნენ პროფესიონალი რეჟისორები: გ. ქავთარაძე, ნ. გაჩავა, ი. კაკულია, ნ. დეისაძე, ა. დიდებულიძე, ვ. ასკურავა, შ. კიკნაძე, გ. პატარიძე, კ. მყავან ძე, გ. მაცხოვრიშვილი და სხვ. ს. თ-თან შეიქმნა თეატრ. სტუდიები (ონისა და ბორჯომის თეატრ. სტუდიები), რ-თა ძალებითაც იდგმება სპექტაკლები. ს. თ-ში ყოველი წლის 14 იანვარს, ქართ. თეატრის დღესთან დაკავშირებით, ტარდება პოეზიის საღამოები. აქვე იმართება მაყურებელთა კონფერენციები, ინტერნაც. საღამოები, კვირეული „თეატრი და ბავშვები", საიუბილეო საღამოები და სხვა მასობრივი თეატრალიზებული ღონისძიებები. ს. თ-ის შესახებ იხ. აგრეთვე ტ. *საქართველოს სსრ*, თავი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები (ქვეთავი სახალხო თეატრი).

თ. ლოლუა.

„სახალხო კაპიტალიზმი", ბურჟუაზიულ-პოლოგეტური თეორია, რ-იც ცდილობს დაასაბუთოს კაპიტალიზმის ახალ საზოგადოებრივ წყობილებად „ტრანს-

ფორმაციის" იდეა. „ს. კ-ის" თეორიის ფუძემდებლები არიან ამერ. ეკონომისტები: მ. ნადლერი, ა. ბერლი, მისი მოზრევები მ. სალვადორი (იტალია), ჯ. მონსენი, ს. ჩეიზი, დ. ლილიენთალი, გ. მინზი, ჯ. გელბრეითი (აშშ), ლ. ერჰარდი (გფრ), ჯ. კოული (ინგლისი). „ს. კ-ის" თეორია წარმოიშვა XX ს. 40-იან წლებში. იგი ფართოდ აისახა 50-იანი წწ. სამეცნ. და პროპაგანდისტულ გამოცემებში.

„ს. კ-ის" მრავალი ვარიანტი არსებობს. მათი მომხრეები განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ თანამედროვე კაპიტალ. საზ-ბაში მიმდინარე ცვლილებების მიზეზებსა და მათ შედეგებზე. ბურჟ. მეცნ. უმრავლესობა კაპიტალიზმის ახ. წყობილებად „ტრანსფორმაციის" იდეას უკავშირებს: ცვლილებებს საკუთრების ხასიათსა და განაწილებაში, რ-იც თითქოსდა განპირობებულია მშრომელთა შორის *აქციების* გავრცელებით („კაპიტალის დემოკრატიზაციის" ანუ „საკუთრების დიფუზიის" თეორია); კაპიტალ. საწარმოთა მმართველობაში მენეჯერთა როლის ამაღლებას („მმართველობის რევოლუციის" თეორია); კაპიტალ. საზ-ბის სხვადასხვა ფენებს შორის კეთილდღეობის დონეში განსხვავების შემცირებას („შემოსავლებში რევოლუციის" თეორია).

მოძღვრება კაპიტალ. საკუთრების „დიფუზიის" შესახებ ბურჟ. და რეფორმისტულ ლიტ-რაში წამოყენებულ იქნა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში „კაპიტალის დემოკრატიზაციის" სახელწოდებით, რ-ის თანახმად, კაპიტალ. საწარმოების აქციონერული ფორმის ფართოდ გავრცელება იწვევს მშრომელებში აქციების მასობრივ დიფუზიას (დაქსაქსვას), რის შედეგადაც კაპიტალ. საკუთრება გადაიქცევა სახ. საკუთრებად, ხოლო აქციის შემძენი მუშა ან მოსამსახურე — კაპიტალისტად, საწარმოს თანამესაკუთრედ. ამ თეორიის თანახმად, მუშებისა და მოსამსახურეების სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილის „გარდაქმნას" კაპიტალისტ-მესაკუთრედ თან სდევს ახ. ფენის—კაპიტალ. საწარმოთა მმართველების (მენეჯერების) — როლის ზრდა, რ-ებიც (და არა, კაპიტალისტ-მესაკუთრეები) თითქოს ახორციელებენ თანამედროვე კაპიტალ. საწარმოთა კონტროლს. აღნიშნული პროცესები, ბურჟ. მეცნიერთა მტკიცებით იწვევს სხვადასხვა სოც. ფენის შემოსავლების გათანაბრებას, „კაპიტალის დემოკრატიზაციას. „ს. კ-ის" თეორიის მნიშვნელოვანი ნაკლია აქციის მფლობელობის პრობლემისადმი ფორმალურ-იურიდ. მიდგომა. მუშის მიერ მცირე რაოდენობის აქციის შეძენა არ აძლევს მას რეალურ შესაძლებლობას, ზემოქმედება მოახდინოს *საქციო საზოგადოების* მართვაზე, პრაქტიკულადაც არაფერს არ ცვლის მის, როგორც მუშის, სოც. სტატუსში. პირიქით, წერილი აქციების მასობრივი გავრცელება ხელს უწყობს დამატებითი შემოსავლის მობილიზებას მსხვილი აქციონერების ხელში და უადვილებს მათ საქციო საზ-ბაზე კონტროლს. კაპიტალ. ქვეყნების მშრომელთა მასის უდიდესი ნაწილი საერთოდ არ ფლობს აქციას. არ მიმდინარეობს აგრეთვე შემოსავლების გათანაბრების პროცესი. „ს. კ-ის" მიზანია, მუშათა კლასისა და მშრომელთა ყურადღება ჩამოაშოროს კაპიტალ. *წარმოებითი ურთიერთობის* მსხვრევის აუცილებლობას, წარმოშვას კაპიტალ. საზ-ბის სოციალიზმში ავტომ. გადაზრდის ილუზია.

ბ. კალანდია.

სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო), სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო 1946-მდე. ს. კ. ს. პირველად ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა სრულიად რუს. საბჭოების II ყრილობაზე. რსფსრ 1918 კონსტიტუციით ეწოდებოდა რსფსრ-ის სახკომსაბჭო. სსრკ-ის შექმნის შემდეგ, 1923 ივლ-ში შეიქმნა სსრკ-ის პირველი ს. კ. ს. ლენინის თავრეობით. სსრკ 1924 კონსტ. თანახმად სსრკ ს. კ. ს. იქმნებოდა სსრკ კავშირის დადგენილებით, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების ს. კ. ს. კი — შესაბამისი რესპუბლიკების კავშირის დადგენილებით. სსრკ 1936 კონსტიტუციით ს. კ. ს-ებს ქმნიდნენ შესაბამისი უმაღლესი საბჭოები. 1946 მარტში სსრკ-ის ს. კ. ს. გარდაიქმნა სსრკ მინისტრთა საბჭოდ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების ს. კ. ს-ები კი — შესაბამისად მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად.

სახალხო კომისარიატი, სახკომატი, საბჭ. სახელმწიფოში 1917—46 სახელმწიფო დარგობრივი მმართველობის ცენტრალური ორგანო. პირველი ს. კ-ები შეიქმნა სრულიად რუს. საბჭოების II ყრილობის 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.) დადგენილებით „სახალხო კომისართა საბჭოს დაარსების შესახებ". პირველი საბჭ. მთავრობის შემადგენლობაში, რ-საც ვ. ი. ლენინი მეთაურობდა, შევიდნენ სამხ. და საზღვ. საქმეთა კომიტეტისა და 12 კომისიის (ვაჭრობისა და მრეწვ., იუსტიციის, ფოსტა-ტელეგრაფის, შრომის, საგარეო საქმეთა, სურსათის საქმეთა, ფინანსთა, სახ. განათლების, სარკინიგზო საქმეთა, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების, ეროვნებათა საქმეების) სათავეში მდგომი სახ. კომისრები. ს. კ-თა სისტემა განამტკიცა რსფსრ 1918 კონსტიტუციამ. ს. კ-ების სისტემა არსებითად შეიცვალა 1922, როდესაც შეიქმნა სსრკ. მის კომპეტენციაში შემავალი უმნიშვნელოვანესი სახელმწ. ფუნქციების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა 5 საერთო-საკავშ. ს. კ.: სამხ. და საზღვ., საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, გზათა, ფოსტა-ტელეგრაფის. მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საერთო სახელმწ. ინტერესების კოორდინაცია დაეკისრა 5 გაერთიანებულ ს. კ-ს: სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, სურსათის, შრომის, ფინანსთა, მუშათა და გლეხთა ინსპექცია (მუშგლეხინი). ეს სისტემა განამტკიცა სსრკ 1924 კონსტიტუციამ. მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები ითვალისწინებდნენ 5 გაერთ. (სსრკ შესაბამისი ს. კ-ების თანამოსახელე) და 6 რესპ. (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მიწათმოქმედების, სოცუზრუნველყოფის) ს. კ-ის შექმნას. ს. კ-ების ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებს განსაზღვრავდა ზოგადი დებულება სსრკ ს. კ-ების შესახებ (1923). ს. კ-ს უფლება ჰქონდა გამოეცა დადგენილება, განკარგულება, ინსტრუქცია, ცირკულარი და ბრძანება. ს. კ-ების სისტემა იცვლებოდა სახ. მეურნ. განვითარებისა და მმართველობის გართულების შესაბამისად. სსრკ 1936 კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო საერთო-საკავშ. და საკავშ.-რესპ. ს. კ-ები. მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკებში იქმნებოდა საკავშ.-რესპ. და რესპ. ს. კ-ები. 1946 წ. 15 მარტის კანონით სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოები გარდაიქმნა მინისტრთა საბჭოებად, ს. კ-ები კი — სამინისტროებად.

სახალხო კონტროლი, სსრკ-ში სახელმწიფო კონტროლის სპეციალურ ორგანოთა სისტემა, რ-იც შექმნილია კონტროლის განხორციელებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმის უზრუნველსაყოფად. ს. კ-ის ორგანოები გარედან აკონტროლებენ სახელმწ. მმართველობის თითქმის ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის, საწარმოსა და დაწესებულების საქმიანობას სახელმწ. მართველობის ყველა დარგში. ს. კ-ის ორგანოები შეიქმნა სსრკ უმაღლესი საბჭოს 1965 წ. 9 დეკ. კანონით „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოთა შესახებ". სსრკ კონსტ. 126-ე მუხლის თანახმად, ს. კ-ის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრკ-ში ს. კ-ის შესახებ, რ-იც მიიღო სსრკ უმაღლესმა საბჭომ 1979 წ. 30 ნოემბერს. ს. კ-ის ორგანოები სახელმწ. კონტროლს უხამებენ მშრომელთა საზ. კონტროლს საწარმოებში, კოლ-ბებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; კონტროლს უწევენ სახელმწ. გეგმებისა და დავალებების შესრულებას, ებრძვიან სახელმწ. დისციპლინის დარღვევებს, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებებს, უყაირათობასა და მფლანგველობას, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს, ხელს უწყობენ სახელმწ. აპარატის მუშაობის სრულყოფას (სსრკ კონსტიტუცია, მ. 92).

სსრკ ს. კ-ის კომიტეტს ქმნის სსრკ უმაღლესი საბჭო. იგი მეთაურობს ს. კ-ის ორგანოთა მთელ სისტემას. ს. კ-ის ქვედა რგოლის ორგანოებს ქმნიან სახ. დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები: მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების ს. კ-ის კომიტეტებს — მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, მხარეების, ოლქების, რ-ნებისა და ქ-ების ს. კ-ის კომიტეტებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები. ს. კ-ის ძირეული რგოლებია სახ. დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებთან, საწარმოებში, კოლ-ბებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სამხ. ნაწილებში 2,5 წლით არჩეული ს. კ-ის ჯგუფები და საგუშაგოები. სასოფლო და სადაბო საბჭოებთან ს. კ-ის ჯგუფები იქმნება მისი წევრების არჩევით სასოფლო, სადაბო საბჭოების სამოქმედო ტერიტ. მოქალაქეთა ან მათ რწმუნებულთა კრებებზე. ს. კ-ის ჯგუფები და საგუშაგოები მუშაობენ შესაბამისი პარტ. ორგანიზაციების, საბჭოებისა და ს. კ-ის კომიტეტების ხელმძღვანელობით. ს. კ. ჯგუფებსა და საგუშაგოებში ირჩევენ მოწინავე, ყველაზე აქტ. და ავტორიტეტულ მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, სტუდენტებს, აგრეთვე პენსიონერებსა და დიასახლისებს, როგორც კომუნისტებს, ისე უპარტიოებს. რ-ნის, ქალაქის, ოლქის, მხარის ს. კ-ის კომიტეტების შემადგენლობაში ირჩევენ პარტ., საბჭ., პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, პრესის მუშაკებს, კულტ. და მეცნ. მოღვაწეებს, ს. კ-ის აქტივისტებსა და ხელმძღვ. მუშაკებს.

ს. კ-ის ორგანოებს შეუძლიათ მიუთითონ თანამდებობის პირებს მათ მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებზე, გააფრთხილონ და დაავალონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა; დარღვევების შესახებ მასალები გადასცენ კოლექტივებს და ა. შ. აუცილებლობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ დანიშნონ რევიზია და შესაბამის ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით შეამოწმონ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, შეაჩერონ თანამდებობის პირთა აშკარა უკანონო განკარგულებები და მოქმედებანი და აცნობონ ამის შესახებ შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ან ზემდგომ ორგანოთა ხელმძღვანელებს, ბრალეულ თანამდებობის პირებს დააკისრონ დისციპლინური სახდელი (შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური), ხელფასიდან ფული დაუკავონ იმ თანამდებობის პირებს, რ-თაც თაყვანით მოქმედებით მატერ. ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს ან საზ. ორგანიზაციას, გადააყენონ დაკავებული თანამდებობიდან თანამდებობის პირები, რ-ებმაც ჩაშალეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება და ჩაიდინეს სხვა სერიოზული დარღვევები (რაც შემდეგ უნდა გატარდეს თანამდებობის პირთა განთავისუფლების არსებული წესების დაცვით), გადასცენ პროკურატურის ორგანოებს მასალები დატაცების, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სხვა დანაშაულებრივ ქმედობათა შესახებ.

ს. კ-ის ორგანოთა მიერ თანამდებობის

პირთა არასწორად დასჯის შესახებ საჩივარს განიხილავენ ს. კ-ის ზემდგომ ორგანოში ან იმ ორგანოში, რ-საც ექვემდებარება ს. კ-ის კომიტეტი. *ვ. ლორია.*

სახალხო არმია, 1. ბულგარეთში — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. იხ. *ბულგარეთი*, სახელმწიფო წესწყობილება; 2. ალბანეთში — ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო. იხ. *ალბანეთი*, სახელმწიფო წესწყობილება.

სახალხო ლაშქარი დიდ სამამულო ომში 1941—45, საბჭ. ხალხის შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა დიდი სამამულო ომის საწყის პერიოდში. მიზნად ისახავდა ფაშისტთაგან სოციალ. სამშობლოს დაცვას; საბჭ. პატრიოტიზმის გამოვლინის მაგალითი. სახ. ლაშქარი იქმნებოდა პარტ. ორგანიზაციების მიერ ადგილებზე ნებაყოფლობითი წესით. ორგანიზაციულად ყალიბდებოდა დივიზიებად, ცალკე გამანადგურებელ და სატყვიამფრქვევო-საარტ. ბატალიონებად, სხვადასხვა რაზმებად და პოლკებად. სახ. ლაშქრის რაზმებს იყენებდნენ აგრეთვე მტრის დივერსიებისა და საჰაერო დესანტისაგან ზურგის რ-ნების დასაცავად. 1941 სექტ. სახ. ლაშქრის დივიზიები საბჭ. არმიის მსროლელ დივიზიებად გადაკეთდნენ.

სახალხო მეურნეობა, ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებულ დარგთა კომპლექსი. მისი სოც.-ეკონ. ბუნება, სტრუქტურა და განვითარების ტემპი განისაზღვრება მოცემულ საზ-ბაში გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობის ხასიათით.

ს. მ., როგორც ერთი მთლიანი, პირველად ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის დროს საწარმოო ძალთა განვითარების, საზ. შრომის დანაწილების გაღრმავების, წარმოების დარგთა სპეციალიზაციის, ეროვნ. ბაზრებისა და მსხვილი მანქანური წარმოების წარმოშობის კვალობაზე. კაპიტალიზმის დროს ს. მ. ემყარება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასა და დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას.

სოციალიზმის დროს ს. მ. ემყარება წარმოების საშუალებათა საზ. საკუთრებასა და ექსპლუატაციისაგან გათავისუფლებულ მუშაკთა შრომას. ს. მ-ის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ცენტრალიზებული მართვის შეხამება საწარმოთა კოლექტივების, ადგილ. ორგანოებისა და ყველა მშრომელის აქტ. მონაწილეობასთან *მართვაში*. სსრკ-ში ს. მ., როგორც ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული კომპლექსი, ყალიბდება და ვითარდება ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების შესაბამისად საზ. შრომის დანაწილების საფუძველზე.

სსრკ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს კლასიფიკაციით, ს. მ-ის დარგები დაყოფილია მატერ. წარმოებისა და არამატერ. წარმოების დარგებად. მატერ. წარმოების სფეროს განეკუთვნება: *მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა*, სატყეო მეურნეობა, სატვირთო *ტრანსპორტი*, კავშირგაბმულობა (მატერ. წარმოების დარგებისადმი გაწეული მომსახურება), *ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება* და სას.-სამ. პროდუქტების დამზადება. არამატერ. წარმოების სფეროს მიეკუთვნება: სამგზავრო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა (არამატერ. წარმოების დარგებისადმი და მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურება), *საბინაო მეურნეობა, კომუნალური მეურნეობა*, მოსახლ. საყოფაცხოვრებო მომსახურება, *ჯანმრთელობის დაცვა*, ფიზკულტურა, *სოციალური უზრუნველყოფა, სახალხო განათლების სისტემა, მეცნიერება* და სამეცნ. მომსახურება, *ხელოვნება, ფინანსები, კრედიტი, დაზღვევა* და მართვა. *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის*, უწყვეტი ტექ. პროგრესის, საზ. შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად უფრო და უფრო რთულდება ს. მ-ის დარგობრივი სტრუქტურა.

კომუნისტური საზ-ბის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნაში წამყვანი როლია მძიმე ინდუსტრიის განვითარება. მისი დანიშნულებაა ტექნიკურად ხელახლა აღჭურვოს ს. მ-ის ყველა დარგი. სსრკ-ში „წარმოების საშუალებანი მზადდება არა თვით წარმოების საშუალებების გულისთვის, არამედ მხოლოდ იმის გულისთვის, რომ წარმოების საშუალებათა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა ესაჭიროება მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ“ (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 4, გვ. 193).

1982 წელს საბჭოთა კავშირში შექმნილ *ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში* მრეწველობაზე მოდიოდა 63,2%, სოფ. მეურნეობაზე — 14, მშენებლობაზე — 9, სხვა დანარჩენ დარგებზე — 14,8%. მთელი სამრეწველო პროდუქციის წარმოების 73% მოდის წარმოების საშუალებების წარმოების დარგებზე („ა“ ჯგუფი). ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის წარმოების 29% მოდის მანქანათმშენებლობაზე, 15,6— მსუბუქ მრეწველობაზე, 15,7 — კვების მრეწველობაზე, 7,2 — ქიმ. და ნავთობქიმ. მრეწველობაზე, 5,5 — სათბობის მრეწველობაზე, 3,6 — საშენი მასალების მრეწველობაზე, 3,0% — ელექტროენერგეტიკაზე და ა. შ.

საქ. სსრ მრეწვ. მთლიან პროდუქციაში 1981 წარმოების საშუალებათა წარმოების დარგების („ა“ ჯგუფი) პროდუქციის ხვ. წ. უდრიდა 65,3%-ს, ხოლო მოხმარების საგნების დარგებისა („ბ“ ჯგუფი) — 34,7%-ს; ცალკეული დარგის პროდუქციის ხვ. წ. მრეწვ. მთლიან პროდუქციაში შეადგენდა: ელექტროენერგეტიკისა—2,0%-ს, სათბობის მრეწვ. — 2,1-ს, შავი მეტალურგიისა — 3,8-ს, ქიმ. და ნავთობქიმ. მრეწვ.— 4,0-ს, მანქანათმშ. და ლითონდასამუშ. მრეწვ.—13,7-ს, ხე-ტყის, ხის დასამუშ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ. — 3,3-ს, სამშენებლო მასალების მრეწვ. — 4,9-ს, მსუბუქი მრეწვ. — 20,1-ს, კვების მრეწვ.— 39,5-ს, საფქვავ-საბურღულე და კომბინირებული საკვების მრეწვ. — 3,1%-ს. სისტემატურად იზრდება საქ. სსრ ს. მ-ის დარგების პროდუქციათა ოდენობა. 1965-თან შედარებით 1981 მთლიანი საზ. პროდუქტი 2,85-ჯერ გაიზარდა, მ. შ. მრეწველობაში 3,13-ჯერ, სოფ. მეურნეობაში— 1,92-ჯერ, საავტ. ტრანსპ. ტვირთბრუნვა — 3,51-ჯერ.

საქ. სსრ ს. მ-ის განვითარების ნათელი მაგალითია აგრეთვე ხალხის მატერ. კეთილდღეობისა და კულტ. დონის განუხრელი ზრდა. მუშებისა და მოსამსახურეების რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 1980 წ. 1965-თან შედარებით გაიზარდა 1,7-ჯერ, ხოლო კოლმეურნეებისა — 2,1-ჯერ.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური პროცესი ხელს უწყობს სოციალ. ქვეყნებში ს. მ-ის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, მათი ეკონ. განვითარების დონის ერთმანეთთან დაახლოებასა და მსოფლიო სოციალ. სისტემის საწარმოო ძალთა უფრო სრულყოფილად გამოყენებას. მსოფლიო სამრეწვ. პროდუქციის მოცულობაში სოციალიზმის ქვეყნების სამრეწვ. პროდუქციის ხვ. წ. 1922 შეადგინა დაახლ. 1%, 1950—დაახლ. 20%, ხოლო 1981—40%-ზე მეტი. 1971—81 სამრეწვ. პროდუქციის ზრდის საშ. წლ. ტემპმა მთელ მსოფლიოში შეადგინა 4,5%, სოციალიზმის ქვეყნებში — 6,8%, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში — 3,2%.

სოციალ. ქვეყნების ს. მ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანია სოციალ. ეკონ. ინტეგრაციის ხანგრძლივი კომპლ. პროგრამის შემუშავება (1971). ამ პროგრამის განხორციელების კვალობაზე უფრო უფრო მეტად ღრმავდება სოციალ. ქვეყნების სამეურნეო ურთიერთთანამშრომლობა და ძლიერდება თითოეული მათგანის ს. მ

ლიტ.: მ ა რ ქ ს კ., კაპიტალი, ტ. 1 თბ., 1957; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 4; სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981; Народное хозяйство Грузинской ССР. 1922—1982, Тб., 1982; СССР в цифрах в 1982 году, М., 1983. *ი. ბაქრაძე*

სახალხო მეურნეობის ბალანსი სსრ კავშირისა, საზოგადოებრივ კვლავწარმოების განმაზოგადებელი, ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ცხრილებისა და მაჩვენებლების ერთიანი სისტემა. მასში აისახება გაფართოებული სოციალ. კვლავწარმოების პირობების, მსვლელობისა და შედეგების სრული სურ. ს. მ. ბ. მუშავდება ანგარიშგებითი წინასაგეგმო და საგეგმო პერიოდებისათვის. ანგარიშგებითი ს. მ. ბ. მოიცავს ანგარიშგებითი პერიოდის მდიდარ ინფორმაციას კვლავწარმოების ყველა მხარეზე სტრუქტურაზე, განვითარების ტემპებზე პროპორციებსა და ეკონ. ეფექტიანობის მაჩვენებლებზე. წინასაგეგმო მუშაობის სტადიაზე ეკონ. განვითარების კონცეფციის შემუშავება ხორციელდება ს. მ. ბ-ი წინასწარი გაანგარიშებების მონაცემების საფუძველზე. ეს საბალანსო გაანგარიშება საშუალებას იძლევა მიახლოებით დადგინდეს საგეგმო პერიოდისათვის კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი პროპორციების, წარმოების მასშტაბებისა და განვითარების ტემპების სასურველი და შესაძლებელი პარამეტრები. ამ საბალანსო გაანგარიშების საფუძველზე მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა განისაზღვროს გეგმის პროექტის რამდენიმე ვარიანტი და მათგან სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანისა და კვლავწარმოების პირობების შესაბამისად შეირჩეს ერთ-ერთი ოპტიმალური. ს. მ. ბ-ის მაჩვენებლებს ფართოდ იყენებენ გეგმის პროექტის დამუშავების მთელ სტადიაზე. დამტკიცებულ გეგმაში იგი არის გეგმის ცალკე, სინთეზური განყობა, სადაც ასახულია გეგმის ყველა ძირითადი საკითხი, მისი პროპორციები და ტემპები და ეკონ. ეფექტიანობის მაჩვენებლები. ს. მ. ბ-ის შედგენის მეცნ. საფუძველია კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია. იგი სისტემატურად მდიდრდება სოციალ. ქვეყნების გამოცდილების განზოგადებით.

სსრკ-ის ს. მ. ბ. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ერთობლივი საზ. პროდუქტის (ესპ), შრომითი რესურსების კრებსითი, ეროვნ. შემოსავლის, ეროვნ. სიმდიდრის ბალანსებისა და ს. მ. ბ-ის კრებსითი ცხრილისაგან.

წარმოებული ესპ მატერ. დოვლათის ჯამია. იგი, როგორც ღირებულება, შედგება მატერ. წარმოების დარგების მთლიანი პროდუქციის (საწარმოს საბითუმო ფასებით), ბრუნვის გადასახადისა და საგარეო ურთიერთობიდან მიღებული შემოსავლისაგან. ესპ-იდან, პირველ რიგში, გამოყოფენ მოხმარებული წარმოების საშუალებათა ანაზღაურების ფონდს, დარჩენილ ნაწილს იყენებენ არასაწარმოო მოხმარებისათვის, დაგროვებისა და სახელმწიფოს სხვა საჭიროებისათვის. არასაწარმოო მოხმარების ფონდი ყალიბდება მოსახლეობის მიერ მოხმარების საგნების გამოყენებისა, საბინაო ფონდის ცვეთისა და არაწარმოებითი დარგების მატერ. დანახარჯებისაგან, დაგროვების ფონდი კი— ძირითადი და საბრუნავი ფონდების, მარაგისა და სახელმწ. რეზერვების მატებისაგან. ესპ-ის წარმოებისა და გამოყენების ბალანსთან დაკავშირებულია და მის დაკონკრეტებას შეადგენს პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი და უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების ბალანსები.

შრომითი რესურსების კრებსითი ბა-

ლანსით ხდება საზ. შრომითი რესურსების მოცულობის განსაზღვრა და წარმოებითი და არაწარმოებითი სფეროს დარგებსა და ტერიტ. ერთეულებს შორის მათი განაწილება. შრომითი რესურსების კრებსით ბალანსთან დაკავშირებულია მრავალრიცხოვანი კერძო ბალანსები, რ-თა მაჩვენებლებით დაკონკრეტდება და დაზუსტდება კრებსითი ბალანსის მონაცემები.

ეროვნ. შემოსავლის ბალანსში აისახება შექმნილი მატერ. დოვლათის (ანაზღაურების ფონდის გამოკლებით) ღირებულების მოძრაობა შემოსავლის ფორმირება-გამოყენების სახით. წარმოებული ეროვნ. შემოსავალი მოიცავს: მატერ. წარმოების დარგების წმინდა პროდუქციას (საწარმოს საბითუმო, ფასებით), ბრუნვის გადასახადსა და საგარეო ურთიერთობებიდან მიღებულ შემოსავალს. იგი ნაწილდება მის მწარმოებლებს შორის და ქმნის პირველად შემოსავლებს: ბრუნვის გადასახადს, მოგებას, სოცდაზღვევის ანარიცხებს, წარმოების სფეროს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასს, კოოპ. კოლ-ბათა შემოსავალს და მოსახლ. პირადი მეურნ. წმინდა პროდუქციას.

სოციალიზმის დროს ხორციელდება ეროვნ. შემოსავლის გადანაწილება. მისი ამოცანაა არასაწარმოო სფეროს შენახვის, წარმოების გაფართოების, მოზარდი თაობის აღზრდის, შრომის უუნაროთა შენახვის, სარეზერვო ფონდის შექმნის, თავდაცვისა და მართვის ხარჯების დაფარვის საჭიროებათა დაკმაყოფილება. გადანაწილება ხორციელდება სახელმწ. ბიუჯეტისა და ფასების სისტემით. სახელმწ. ბიუჯეტით სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის პირველადი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ფასებით ეროვნ. შემოსავალი გადანაწილდება დარგებსა და სოციალ. სექტორებს, აგრეთვე მოსახლეობასა და სახელმწიფოს შორის, მოსახლ. შიგნით ცალკეულ ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის. გადანაწილების შემდეგ ყალიბდება საბოლოოდ განაწილებული ეროვნ. შემოსავალი, რ-იც გამოიყენება მოხმარებისა და დაგროვების ფონდად და დანაკარგის დასაფარავად. მოხმარების ფონდი ყალიბდება მოსახლ. ინდივიდ. შემოსავლისაგან, საბინაო ფონდის ცვეთის ღირებულებისაგან და არაწარმოებითი სფეროს დარგების მატერ. დანახარჯების ჯამისაგან; დაგროვების ფონდი — ძირითადი ფონდებისა და მატერ. საბრუნავი ფონდებისაგან, შარაგისა და რეზერვების მატების ღირებულებისაგან.

ეროვნ. შემოსავალს უშუალოდ უკავშირდება და მის მონაცემებს აკონკრეტებს კრებსითი საფინანსო გეგმა, სახელმწ. ბიუჯეტი, სახბანკის საკრედიტო და საკასო გეგმა, მოსახლ. ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსი და ა. შ.

ეროვნ. სიმდიდრის ბალანსში აისახება ეროვნ. ქონებისა და ბუნებრივი სიმდიდრის მოცულობისა და დინამიკის მონაცემები. ეროვნ. ქონება მოიცავს წლობით დაგროვილ, შრომით შექმნილ მატერ. დოვლათს; ბუნებრივი სიმდიდრეები კი — მიწისა და ტყის ფონდს, პიდრორესურსებს, აღრიცხულ და გამოყენებაში მყოფ წიაღისეულს.

ს. მ. ბ-ის კრებსით ცხრილში თავს იყრის ს. მ. ბ-ის ყველა ნაწილის ძირითადი მონაცემები. იგი უზრუნველყოფს ს. მ. ბ-ის ყველა ნაწილის კოორდინაციას, ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლების ერთიანობას, კელავწარმოების ყველა მხარისა და ფაზის ურთიერთდაბალანსებას.

საქ. სსრ-ში 60-იანი წწ. დასაწყისიდან დაიწყო ს. მ. ბ-ის ძირითადი ელემენტების კომპლ. დამუშავება, რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით არ დგება ეროვნ. სიმდიდრისა და სხვ. მეურნეობის კრებსითი საფინანსო ბალანსები. შეკვეცილი სქემით მუშავდება ეროვნ. შემოსავლის ბალანსი.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 1; მისივე, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, იქვე, ტ. 3; Бор М. З., Вопросы методологии планового баланса народного хозяйства СССР, М., 1960; Головченко Г. С., Зернова Г. С., Баланс народного хозяйства, М., 1977; Кириченко В. Н., Национальное богатство СССР, М., 1964; Морозова И. А., Баланс народного хозяйства и методы его построения, М., 1961; Соболь В. А., Очерки по вопросам баланса народного хозяйства, М., 1960, гл. VI и VII.

ი. ქადარია.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, სოციალიზმის ეკონომიკური კანონი, რ-იც ასახავს ქვეყნის სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი ფუნქციონირებისა და განვითარების აუცილებლობასა და შესაძლებლობას. საბჭ. ეკონომისტებს შორის ს. მ. ბ., პ. მ. კ-ის შესახებ ერთნაირი შეხედულება ჯერ კიდევ არ არსებობს. 30-იან წლებში საბჭოთა ეკონ. ლიტ-რაში ფართოდ იხილებოდა გეგმაზომიერების არსისა და ფორმების საკითხები, რ-თა დამუშავებაზე 40-იან წლებში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომისტების დიდი ნაწილის სუბიექტურმა შეხედულებებმა ეკონ. კანონებზე. ისინი უარყოფდნენ ეკონ. კანონების ობიექტურ ხასიათს და ეკონ. კანონად აცხადებდნენ დაგეგმვას. ეკონ. მეცნიერებაში ასეთი შეხედულება გაბატონებული იყო 50-იანი წლების დასაწყისამდე. 1951 სკპ (ბ) ცკ-ის ინიციატივით ჩატარებულ ეკონ. დისკუსიაზე აღიარებულ იქნა სოციალიზმის ეკონ. კანონების, მ. შ. ს. მ. ბ., პ. მ. კ-ის ობიექტური ხასიათი. მომდევნო ეტაპზე ეკონომისტების აზრთა სხვაობა გამოვლინდა ს. მ. ბ., პ. მ. კ-ის კონკრ. შინაარსის ირგვლივ. განსაკუთრებით მწვავედ დაისვა გეგმაზომიერებისა და პროპორციულობის პრობლემა. მრავალი ავტორი აიგივებდა გეგმაზომიერებასა და პროპორციულობას. ისინი უარყოფდნენ ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას: „მუდმივი, შეგნებულად გატარებული პროპორციულობა მართლაც, გეგმაზომიერება იქნებოდა" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 3, გვ. 731). ეკონომისტთა მეორე ნაწილის აზრით, თუმცა შეგნებულად გატარებული პროპორციულობა ძირითადია გეგმაზომიერებაში, მაგრამ იგი არ ამოწურავს მის შინაარსს და მხოლოდ შეადგენს მის ერთ ძალზე მნიშვნელოვან ელემენტს. ისინი გეგმაზომიერების ელემენტად მიიჩნევდნენ აგრეთვე სახ. მეურნ. ხელმძღვანელობას. ამ თვალსაზრისით გეგმაზომიერება უფრო ფართო ცნებად იყო აღიარებული, ვიდრე პროპორციულობა. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება ორი დამოუკიდებელი ეკონ. კანონის არსებობის შესახებ (სახ. მეურნ. გეგმაზომიერი განვითარების კანონი და სახ. მეურნ. პროპორციული განვითარების კანონი). ავტორთა ერთი ნაწილი პროპორციულობას სოციალიზმისათვის დამახასიათებელ ფორმად მიიჩნევდა. მათი აზრით, კაპიტალ. სა-ბისათვის დამახასიათებელია დისპროპორციული განვითარება, ისინი ეყრდნობიან ვ. ი. ლენინის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ „...რეალიზაციის აბსტრაქტული თეორია გულისხმობს და კიდევაც უნდა გულისხმობდეს პროდუქტის პროპორციულ განაწილებას კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა დარგს შორის. მაგრამ, გულისხმობს რა ამას, რეალიზაციის თეორია სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტები ყოველთვის ნაწილდება ან შეიძლება განაწილდეს პროპორციულად" (იქვე, ტ. 4, გვ. 81—82). აქედან გაკეთდა დასკვნა, რამდენადაც სოციალიზმამდელ ფორმაციებში არ არსებობს ცალკეულ დარგებში განსაზღვრულ პროპორციებით შრომის სისტემატური, მიზანშეწონილი განაწილების შესაძლებლობა, ამდენად სახ. მეურნ. პროპორციული განვითარების კანონი სოციალიზმის სპეციფ. ეკონ. კანონია. ეკონომისტთა მეორე ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. თავიანთ მსჯელობას ისინი აგებენ კ. მარქსის შემდეგ დებულებაზე: „...იმ პროდუქტთა მასისათვის, რომლებიც მოთხოვნილებათა სხვადასხვა მასას შეეფერება, საჭიროა საზოგადოებრივი ერთობლივი შრომის სხვადასხვა და რაოდენობრივად განსაზღვრული მასა. თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოებრივი შრომის გარკვეული პროპორციით დაყოფის ეს აუცილებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოისპოს საზოგადოებრივი წარმოების განსაზღვრული ფორმით; შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ფორმა, რომლითაც ეს კანონები ვლინდება" (მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1964, გვ. 565). ამ კონცეფციის თანახმად, გეგმაზომიერება პროპორციულობის გამოვლინების ფორმაა სოციალიზმის დროს. აქ პროპორციულობა გადადის გეგმაზომიერ პროპორციულობაში და შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სოციალიზმის სპეციფ. კანონი, რ-ის მეშვეობით ვლინდება შესაბამისი საერთო კანონის მოქმედება.

როგორც არ უნდა იყოს ს. მ. ბ., პ. მ. კ-ის შინაარსის შესახებ საბჭ. ეკონომისტების აზრთა სხვაობა, ერთი რამ მაინც ცხადია, კერძოდ, ძირითად წარმოების საშუალებებზე სოციალ. საკუთრების დამყარება განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის, როგორც ერთიანი მთელის შეთანხმებულ წარმართვას საზ. მოთხოვნილებათა შესაბამისად წარმოების სხვადასხვა სახეებს შორის პროპორციულობის დაცვის საფუძველზე, ანუ, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, „წარმოების ცალკეული დარგების ყველა გეგმა მკაცრად კოორდინირებული და შეკავშირებული უნდა იყოს და ერთად უნდა შეადგენდეს იმ ერთიან სამეურნეო გეგმას, რომელიც ჩვენ ასე გვესაჭიროება" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 31, გვ. 629).

ს. მ. ბ., პ. მ. კ. გამოხატავს სოციალიზმის მთელი სისტემის ეკონ. ურთიერთობის არსებით თვისებას, რაც მდგომარეობს ეკონ. განვითარების შინაგან ერთიანობაში. სოციალიზმის დროს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის გეგმაზომიერი განვითარება წარიმართება *სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის* მოთხოვნის შესაბამისად. ეკონ. კანონების ზემოქმედებით სახ. მეურნ. ჩამოყალიბებული პროპორციები მრავალგვარია (საერთო-ეკონ. დარგთაშორისი, ტერიტ., სახელმწიფოთშორისი და სხვ.).

შეგნებულად გატარებული პროპორციულობა მათ სტატიკურობას როდი გულისხმობს. პირიქით, იგი ნიშნავს სახ. მეურნ. დინამ. წონასწორობისა და ბალანსირების დაცვას. აღნიშნული პროპორციების შეცვლა სხვადასხვა ფაქტორის (სამეცნ.-ტექ. პროგრესი, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, საზ. მოთხოვნილების მოცულობა და სტრუქტურული ცვლილება, საგარეო პირობების შეცვლა და ა. შ.) ზემოქმედებით განისაზღვრება. საქ. სსრ მეურნეობაში პროპორციების ცვლილებაზე მიუთითებს მონაცემები დასაქმებული მოსახლეობის განაწილების შესახებ (იხ. ცხრილი).

ს. მ. ბ. პ., მ. კ-ის გამოყენების მექანიზმის სრულყოფა გამოხატავს გეგმაზომიერების, როგორც ეკონ. სფეროში სახელმწიფოს მაორგანიზებელი საქმიანობის ობიექტური საფუძვლის როლის გაძლიერებას. სოციალ. სახელმწიფო „ჩრება საზოგადოების წევრთა შორის პროდუქტების განაწილებისა და შრომის განაწილების რეგულატორად (განსაზღვრულად)" (ლენინი ვ. ი., იქვე, ტ. 25, გვ. 581). სახ. მეურნ. სახელმწიფოებრივი *მართვის* არსი, ფორმები და მეთოდები განისაზღვრება როგორც ეკონ. კანონების მოთხოვნებით,

ასევე სოციალიზმის მშენებლობის ისტ. პირობებით.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალიზმის ეკონ. კანონების მოქმედება უფრო ღრმად და სრულად ვლინდება. ამ დროს ახ. ნიშნებს იძენს გეგმაზომიერებაც; მაღლდება მისი როლი საზ-ბის განვითარებაში. ეს კი განაპირობებს სახ. მეურნ. გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაგეგმვის, როგორც გეგმაზომიერების უმნიშვნელოვანესი ფორმის სრულყოფა. ამ მხრივ აღსანიშნავია სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ" (1979).

გეგმაზომიერების ორგანიზაციის კონკრ. ფორმები სოციალიზმის ქვეყნებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ ამ ქვეყნებში ეკონ. გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების საერთო ნიშანია ეროვნ. საზ. პროდუქტის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების პირდაპირი გეგმური დავალებების მიცემასთან ერთად *სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის* გამოყენება. სოციალ. ქვეყნებს შორის სახ.-სამ. გეგმების კოორდინაცია ხელს უწყობს მსოფლიო სოციალ. სისტემის მასშტაბით გეგმაზომიერი პროპორციულობის წარმოქმნასა და შენარჩუნებას, რაც იწვევს როგორც ცალკეული სოციალ. ქვეყნების, ასევე მსოფლიო სოციალ. სისტემის მასშტაბით საზ. შრომისა და საშუალებების უდიდეს ეკონომიას და წარმოების ეკონ. ეფექტურობის ამაღლებას. *ჯ. კახნიაშვილი.*

სახალხო მეურნეობის დაგეგმვა სსრკავშირში, კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ძირითადი მეთოდი, რ-ის მეშვეობით აღწევენ ხალხის ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას. ს. მ. დ-ის მეთოდოლ. საფუძველია გაფართოებული კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორია. სოციალ. ეკონ. გეგმიანი გაძღოლა სოციალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობს. დაგეგმვის აუცილებლობა გაპირობებულია პოლიტ. ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლითა და წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების დამყარებით. ეს უკანასკნელი სახ. მეურნეობას აქცევს ერთიან სამეურნეო ორგანიზმად. დაგეგმვით შეიძლება ყველა დარგის, კვლავწარმოების ყველა ფაზის ურთიერთდაბალანსებული, ურთიერთშერწყმული განვითარება, მხოლოდ მას შეუძლია თითოეული პერიოდის სამეურნეო-პოლიტ. ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოს საზ-ბაში არსებული მატერ., შრომითი და ფინანს. რესურსების ეფექტური გამოყენება. მეცნ. დაგეგმვა საშუალებას იძლევა განსაზღვრულ იქნეს წარმოების მომავალი მოცულობა, ამის შესაბამისად რესურსების მოსალოდნელი მოცულობა და სტრუქტურა, უზრუნველყოფილ იქნეს ამ რესურსების მოსალოდნელი მოთხოვნის რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება.

ს. მ. დ-ის პროცესი მოიცავს გასული პერიოდის გეგმის შესრულების ანალიზს, ხანგრძლივ პერსპექტივაში მეცნ.-ტექ. პროგრესის კომპლ. პროგრამის შემუშავებას, ქვეყნის ეკონ. და სოც. განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრას, მეურნეობის ძირეულ რგოლებში, სამინისტროებში, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში გეგმების პროექტების შემუშავება-განხილვას, ცენტრ. მგეგმავ ორგანოებში სსრკ-ის ეკონ. და სოც. განვითარების გეგმის პროექტების შედგენას, სადირექტივო ორგანოებში გეგმის პროექტის განხილვასა და გეგმის დამტკიცებას, გეგმის შემსრულებლამდე დაყვანას და გეგმის შესრულების ორგანიზაციას.

დაგეგმვა გულისხმობს ისეთ ეკონ. ბერკეტების გამოყენებას როგორიცაა *თვითღირებულება, ფასი, მოგება, კრედიტი, სამეურნეო ანგარიში, მატერიალური და მორალური სტიმულირება, სოციალისტური შეჯიბრება* და სხვ. ეს საშუალებას იძლევა ეკონომიკურად დავაინტერესოთ წარმოების მუშაკები წარმოების მაღალი შედეგებით, ავამაღლოთ საგეგმო დავალებათა დასაბუთებისა და გეგმის შესრულების მეცნ. დონე, მივაღწიოთ *შრომის ნაყოფიერების* ამაღლებას, მუშაობის კულტურის, ნაწარმისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

დაგეგმვისა და მართვის ორგანიზაციის მაღალი დონე, საგეგმო და საშემარულებლო დისციპლინის განმტკიცება სოციალ. საზ-ბის წინსვლის საწინდარია. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვაში ხალხის ფართო მასის მონაწილეობას. დაგეგმვის ყველა სტადიაზე უზრუნველყოფილია მოსახლ. ფართო ფენების მონაწილეობა, გეგმის პროექტების საერთო-სახალხო განხილვა. ამაში ვლინდება სოციალ. დემოკრატია, ფართო მასების საერთო და საზ.-პოლიტ. აქტივობა.

სოციალ. დაგეგმვის სამშობლოა საბჭ. კავშირი. 1917 შეიქმნა ქვეყნის პირველი მგეგმავი ორგანო — სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, 1920 — რუს. ელექტრიფიკაციის სახელმწ. კომისია (გოელრო), 1921 — სახელმწ. საგეგმო კომიტეტი (სახგეგმა), მოგვიანებით — დარგობრივი მგეგმავი ორგანოები. 1925 სკკპ XIV ყრილობამ მიიღო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მისი ეკონ. ახ. ტექ. ბაზაზე რეკონსტრუქციისა და სოფ. მეურნ. კოლექტივიზაციის პროგრამა. ომამდელმა ხუთწლედებმა დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონ. განვითარების ისტორიასა და დაგეგმვაში. შეიქმნა სოციალიზმის ეკონ. ბაზა. დიდმა სამამულო ომმა გამოიწვია ეკონ. პროპორციებისა და საწარმოო ძალების ტერიტ. განლაგების არსებითი შეცვლა თავდაცვის ინტერესების შესაბამისად. დაგეგმვის ძირითად ფორმად იქცა მიმდინარე (კვარტალური, თეიური, დეკადური) გეგმები. უმნიშვნელოვანესი თავდაცვითი პროდუქციის წარმოების მოცულობას ამტკიცებდა თავდაცვის სახელმწ. საბჭო. ომის შემდგომ წლებში ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმები ითვალისწინებდა ომით დანგრეული სახ. მეურნ. აღდგენას, *კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის* თანდათანობით შექმნასა და ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას. ამ პერიოდში (1946—80) განხორციელდა საწარმოო ძალების ზრდის გრანდიოზული პროგრამა, რამაც უზრუნველყო წარმოების შემდგომი სრულყოფა, შრომის ნაყოფიერებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება და ეკონ. წამყვანი დარგების უპირატესი ზრდა. წარმოების ახ. დონემ საშუალება მოგვცა მეტი ყურადღება სოც. პრობლემების გადაწყვეტისათვის მიგვეექცია (წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა, დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესება, მატერ. სტიმულირება). განსაზღვრულ იქნა პარტიის თანამედროვე ეკონ. პოლიტიკის პრინციპები, დამუშავდა გეგმიანი ხელმძღვანელობის ერთიანი კონცეფცია, რ-იც ითვალისწინებს ეკონ. და სოც. განვითარების მიზნობრივი პროგრამების დამუშავებას, საზ. მოთხოვნის შესწავლის გაუმჯობესებას, განვითარების ინტენს. ფაქტორების წინ წამოწევას, პერსპექტიული დაგეგმვის სრულყოფას და ამ საქმეში მეცნ. პროგნოზების როლის ამაღლებას, დაგეგმვაში ეკონ.-მათ. მეთოდების ფართოდ გამოყენებას, პროგრ. ნორმების ბაზაზე ეკონ. დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფას, დაგეგმვის კომპლ. დარგთაშორისი ხასიათის ამაღლებას. ტერიტ. დაგეგმვის სრულყოფას, საბალანსო მუშაობის ამაღლებას, მარეგულირებელთა სისტემის დახვეწას და ა. შ.

სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მი-

სახალხო მეურნეობის დარგებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით დასაქმებული მოსახლეობის განაწილება საქ. სსრ-ში (მუდმივი მოსახლეობა)

	1970				1979			
	ყველა საზოგადებრივი ჯგუფი	მათ შორის			ყველა საზოგადებრივი ჯგუფი	მათ შორის		
		მუშები	მოსამსახურეები	გლეხები		მუშები	მოსამსახურეები	გლეხები
სულ დასაქმებული მოსახლეობა, მ. შ.	100	100	100	100	100	100	100	100
მატერიალური წარმოების დარგებში . . .	75,7	84,2	40,1	99,7	71,9	82,9	37,6	99,7
აქედან								
მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა	32,2	52,6	27,1	0,6	32,8	46,7	25,2	0,5
სასოფლო და სატყეო მეურნეობა	37,2	23,2	4,4	99,1	33,2	28,8	5,8	99,1
ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება, დამზადება . .	6,0	8,2	7,6	—	5,5	7,1	5,7	0,1
არაწარმოებით დარგებში	23,8	15,1	59,2	0,2	27,7	16,6	62,0	0,3
აქედან								
ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სოციალური უზრუნველყოფა, სახალხო განათლება, კულტურა და ხელოვნება, მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება	16,3	8,8	43,2	0,2	18,6	9,3	44,8	0,3

ერ მიღებულ იქნა დადგენილებები მრეწვ., მშენებლობისა და სოფ. მეურნ. დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ; განისაზღვრა დაგეგმვის ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფის მიმართულებანი და კონკრ. ღონისძიებათა სისტემა; კერძოდ, შემუშავდა გეგმის შედგენის ახ. წესი, მნიშვნელოვნად დაზუსტდა და შეივსო გეგმურ მაჩვენებელთა წრე, მრეწველობაში შემოღებულ იქნა წმინდა (ნორმატიული) პროდუქციის მაჩვენებელი, ამაღლდა ნატურალური მაჩვენებლის როლი, გამოიკვეთა ხუთწლიანი გეგმისა და მასთან დაკავშირებული მატერ., შრომითი და ფულად-ფინანს. ბალანსების მნიშვნელობა, განისაზღვრა საგეგმო ნორმატივებისა და საწარმოთა პასპორტების როლი, დამუშავდა საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების უზრუნველყოფის, კაპიტ. დაბანდების ეფექტიანობის, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის განვითარების ეკონ. ბერკეტებისა და სტიმულების როლის ასამაღლებელ ღონისძიებათა სისტემა (იხ. აგრეთვე სტატიები *სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, საწარმოს ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმა, დემოკრატიული ცენტრალიზმი, საბალანსო მეთოდი* დაგეგმვასა და სტატისტიკაში, *სახალხო მეურნეობის ბალანსი*).

ლიტ.: სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981; სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ", კრ.: სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. დოკუმენტების კრებული, თბ., 1981; Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 10, 20; Ленин В. И., Полн. собр. соч., 5 изд., т. 36, 37, 42; Гокиели А. П., Система пропорции в социалистическом народном хозяйстве .., «თსუ შრომები», 1976, ტ. 171; Гуния А. Л., К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1969; Об улучшении планирования и экономического стимулирования производства-заготовок продуктов сельского хозяйства, М., 1980; Экономическое планирование в СССР, М., 1967.

ი. ქადარია.

სახალხო მეურნეობის დარგები, თვისებრივად ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) მწარმოებელი სამეურნეო ერთეულების (საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები) ერთობლიობა (იხ. აგრეთვე, *სახალხო მეურნეობა*).

სახალხო მეურნეობის მართვა, იხ. *მართვა*.

სახალხო მეურნეობის საბჭოები (სმს), მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ტერიტორიული სახელმწიფო ორგანოები. ფუნქციონირებდნენ 1917—32 და 1957—65 წლებში; რსფსრ სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო (სმუს) შეიქმნა რსფსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს დეკრეტით. სმუსის ამოცანა იყო ქვეყნის ეკონ. ცხოვრების რეგულირება, გეგმებისა და საერთო ნორმატივების შემუშავება, ცენტრ. და ადგილ. დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის გაერთიანება, იმ დროს არსებული სახელმწ. კომიტეტების საქმიანობის კოორდინირება და სხვ. 1922 სსრკ-ის შექმნასთან დაკავშირებით სმუს-მა მიიღო გაერთ. სახ. კომისარიატის სტატუსი და მის უშუალო გამგებლობაში დარჩა საკავშ. დაქვემდებარების საწარმოები. 1932 სმუს-ის ბაზაზე შეიქმნა მძიმე, მსუბუქი და ხე-ტყის მრეწვ. სახ. კომისარიატები. ამგვარად, მრეწველობა და მშენებლობა გადავიდა მართვის დარგობრივ პრინციპზე. სპეციალიზებულმა დარგობრივმა სახ. კომისარიატებმა (შემდეგში სამინისტროებმა), რ-თა რიცხვი სამრეწვ. წარმოების ზრდასთან ერთად მატულობდა, დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონ. პოტენციალის ზრდაში.

მრეწვ. და მშენებლობის მართვის გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცკ-ის 1957 თებ. პლენუმმა დაადგინა მართვის ტერიტ. პრინციპზე გადასვლა გაუქმდა საკავშ. და საკავშ.-რესპ. სამრეწვ. და სამშენებლო სამინისტროები და მათ ნაცვლად სსრკ-ში შეიქმნა 105 ეკონ.-ადმ. რ-ნი. მ. შ. რსფსრ-ში — 70, უკრ. სსრ-ში— 11, ყაზ. სსრ-ში — 9, უზბ. სსრ-ში — 4, საქართველოსა და სხვა დანარჩენ რესპუბლიკებში — თითო-თითო. სმს შედგებოდა დარგობრივი და ფუნქციური სამმართველოებისა და განყ-ბებისაგან. დარგობრივ სამმართველოებში გაერთიანდა ერთგვაროვანი საწარმოები. მათთან შეიქმნა ტექ. საბჭოები. ფუნქციურ სამმართველოებსა და განყ-ბებში თავმოყრილ იქნა კოორდინაციის, დაგეგმვისა და კონტროლის ფუნქციები.

სმს-ის შექმნით ამაღლდა სამეურნეო ცხოვრებაში ადგილ. პარტ. და საბჭ. ორგანოების პასუხისმგებლობა და ინიციატივა, ეკონ. რ-ნის ფარგლებში გაფართოვდა სამრეწვ. წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპ. და სამეურნეო სოც. პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტის შესაძლებლობანი, ამასთანავე დროთა ვითარებაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, შეიზღუდა დარგისადმი ერთიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა, შეფერხდა სხვადასხვა რ-ნში მყოფ საწარმოთა დარგობრივი სპეციალიზაციის განვითარება, შესუსტდა მართვაში ეკონ. ბერკეტების როლი, შემცირდა სამეცნ.-ტექ. პრობლემების კომპლ. გადაჭრის შესაძლებლობა, თავი იჩინა მრეწვ. დარგების მიხედვით განვითარების ობიექტურ ტენდენციებსა და მართვის ტერიტ. სისტემას შორის წინააღმდეგობამ.

სკკპ ცკ-ის 1965 წ. სექტ. პლენუმმა მრეწვ. მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონ. სტიმულირების გაძლიერების მიზნით მიიღო დადგენილება მრეწველობაში სამეურნეო რეფორმის გატარების შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე სსრკ-ში გაუქმდა სმუს და მის ნაცვლად შეიქმნა სამრეწვ. სამინისტროები და უწყებები.

ლიტ.: Решения Партии и Правительства по хозяйственным вопросам, т. 4—5, М., 1968.

ი. ქადარია.

სახალხო მოსამართლე, *სახალხო სამართლის* მოსამართლე. რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოების სახ. მოსამართლეებს ირჩევენ რ-ნის (ქალაქის) მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ს. მ-ები პასუხისმგებლები არიან თავიანთი ამომრჩევლების წინაშე და მათვე შეუძლიათ გაიწვიონ ისინი კანონით დადგენილი წესით.

რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოს სხდომას თავ-რეობს ს. მ., რ-მაც უნდა უზრუნველყოს საქმის ყველა გარემოების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა, ჭეშმარიტების დადგენა, აგრეთვე სასამართლო პროცესის აღმ. ზრდელობითი ზემოქმედება. სახ. სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხს მოსამართლე და სახ. მსაჯულები წყვეტენ ხმის უმრავლესობით. საკითხები, რ-ებიც შეიძლება ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ს. მ-მ, განსაზღვრულია კანონით. მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

თ. ლილუაშვილი.

სახალხო მსაჯული, იხ. სტ. *მსაჯული*.

სახალხო პალატა, იხ. სტ. *გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა* (სახელმწიფო წესწყობილება).

სახალხო რაზმი, სსრ კავშირში საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რ-იც მოწოდებულია ებრძოლოს დანაშაულობას, საზ. წესრიგისა და სოციალ. საერთო ცხოვრების წესების დარღვევას გაფრთხილებისა და სამართალდარღვევათა აღკვეთის, მერყევ ელემენტებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა მოძებნის მეშვეობით. შეიქმნა 1959 ლენინგრადელი მუშების ინიციატივით. პირველი დადგენილება, რ-იც აწესრიგებს ს. რ-ის საქმიანობას, სკკპ ცკ-მა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს 1959 წ. 2 მარტს. საქ. სსრ-ში მიღებულია საქ. კპ ცკ-ისა და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წ. 30 ივლ. ერთობლივი დადგენილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შესახებ".

ს. რ-ებს ქმნიან მოწინავე მშრომელთაგან ნებაყოფლობის საფუძველზე საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სახლმმართველობებთან და ა. შ. ისინი მუშაობენ პარტ. ორგანოების ხელმძღვანელობითა და მილიციის ორგანოებთან ურთიერთმოქმედებით. ს. რ-ის საქმიანობის ძირითადი ფორმაა პატრულირება, საგუშაგოების მოწყობა, რეიდების ჩატარება, სახელმწ. ავტოინსპექციის მუშაკებისადმი დახმარება და სხვ. რაზმელების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას იცავს კანონი. რაზმელის ხელყოფა საზ. საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით იწვევს სისხლის სამართ. პასუხისმგებლობას (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მმ. 207[1], 208[1]).

სახალხო რევოლუცია, რევოლუცია, რ-შიც ხალხის ფართო მასები მონაწილეობენ. ს. რ-ში მონაწილე ხალხის მასები აქტიურად გამოდიან საკუთარი ეკონ. და პოლიტ. მოთხოვნებით. ს. რ-ებს შეიძლება სხვადასხვა საზ.-ეკონ. შინაარსი ჰქონდეთ. სახალხო იყო მაგალითად, საფრ. დიდი რევოლუცია და 1905—07 რევოლუცია რუსეთში. ადარებდა რა XX ს. პორტუგ., თურქ. და რუს. სამ რევოლუციას, ვ. ი. ლენინი პირველი ორის შესახებ წერდა, რომ «... „ხალხური" არც ერთია და არც მეორე» (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25, გვ 512), ხოლო რუსეთის 1905—07 რევოლუცია, «უეჭველია, „ნამდვილი ხალხური" რევოლუცია იყო, ვინაიდან ხალხის მასა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების ულრმესი „ქვედაფენები", ჩაგვრითა და ექსპლუატაციით გასრესილნი, დამოუკიდებლად დგებოდნენ ფეხზე...» (იქვე). XX ს. ს. რ-ების რიცხვს მიეკუთვნება 40-იანი წწ. *სახალხო-დემოკრატიული რევოლუციები* ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში, კუბის რევოლუცია 1959, *ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები*.

სახალხო-რესპუბლიკური პარტია თურქეთისა (სრპ), ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დააარსა მუსტაფა ქემალ *ათათურქმა* 1923. 1923—50 მმართველი პარტია იყო. 1978—80 მთავრობის კოალიციას მეთაურობდა. ქალაქის საშ. ფენების, ეროვნ. ბურჟ. ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. აიკრძალა 1980

სახალხო საბჭო, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ალბანეთში, ბულგარეთში, ვიეტ. დემოკრ. რესპუბლიკასა და რუმინეთში. ირჩევს უშუალოდ მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ალბანეთში ს. ს-ს ირჩევენ 3, ბულგარეთში — 2,5 ვდრ-ში — 3 და რუმინეთში — 4 წლით. ს. ს. სახელმწ. ხელისუფლებას ახორციელებს შესაბამისი ადმ. ერთეულის ტერიტორიაზე.

სახალხო-სამეურნეო ოპტიმუმი, საზოგადოების განკარგულებაში მყოფი რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტი. სოციალ. საზ-ბაში ს.-ს. ო-ის მიღწევა ნიშნავს ეკონ. ფუნქციონირების ისეთი რეჟიმის შერჩევას, რ-იც საზ-ბის უმაღლესი მიზნის განხორციელებას ემსახურე-

ბა და შეესაბამება სოციალ. საზ-ბის ძირითად ეკონ. კანონს. აღნიშნული კანონის მოთხოვნაა საზ-ბის წევრთა მოთხოვნილებების (კვება, ტანსაცმელი, ბინა, სამედ. მომსახურება, დასვენება და ა. შ.), აგრეთვე საწარმოო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. სოციალ. საზ-ბის განვითარების ძირითადი ტენდენცია ასახულია სახ. მეურნ. გეგმაში და ამიტომ ს. ს. ო-ის მიღწევა სახ. მეურნ. დაგეგმვის ძირითადი ამოცანაა. აქედან გამომდინარეობს სახ. მეურნ. დაგეგმვის პრაქტიკაში სახ. მეურნ. ოპტიმალური კრიტერიუმის დადგენის აუცილებლობა, რაც ისეთი ოპტიმალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა, რ-იც ყველაზე უფრო მეტად შეეფერება სისტემის მიზნებს.

ეკონ. შართვის პრობლემათა შესახებ ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ს. ს. ო-ის კრიტერიუმის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ სახ. მეურნ. ფუნქციონირების ყველა პროცესი ფასდება მისი შედეგების სზ. სარგებლიანობის თვალსაზრისით. კრიტერიუმის შემოღება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საზ-ბაში მისი განვითარების ნებისმიერ პერიოდში არსებობს უპირატესობის მიკუთვნების გარკვეული სისტემა, რ-იც ემყარება კეთილდღეობის მიღწეულ დონეს და შეესაბამება სოციალ. საზ-ბის ნორმებსა და ფასეულობებს.

ს.-ს. ო-ის შერჩევის ამოცანა რთულია. ეს სირთულე განპირობებულია იმით, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მიმდინარე, ასევე პერსპექტიული მოთხოვნილებანი, ამავე დროს სხვადასხვა ხასიათის განუსაზღვრელობანი (საერთაშ. ვითარება, მეცნ. და ტექ. განვითარება, მეტეოროლ. პირობები და ა. შ.).

ქ. დადიანი.

სახალხო სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლო, რ-იც მოქმედებს რ-ნის ან იმ ქალაქების ტერიტორიაზე, რ-ებიც რ-ნებად არ არის დაყოფილი. ს. ს. საბჭ. სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლია და განიხილავს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართ. საქმეს, გარდა ზოგიერთი კატეგორიის საქმეებისა, რ-თა განხილვა და გადაწყვეტა კანონის თანახმად სხვა სასამართლოს განსჯადია.

სსრკ-ში ს. ს-ების ორგანიზაცია და საქმიანობა დაფუძნებულია ისეთ დემოკრ. საწყისებზე, როგორიცაა არჩევითობა, საქმეთა განხილვის კოლეგიურობა, მოსამართლეთა და სახ. მსაჯულთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, სასამართლოს წარმოება ეროვნ. ენაზე და ა. შ.

საქ. სსრ-ში ს. ს. ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრკ და საქ. სსრ კონსტიტუციები, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლები, კანონი საქ. სსრ სასამართლო წყობილების შესახებ და სხვ. საკანონმდებლო აქტები.

ს. ს. თავისი საქმიანობით მოწოდებულია აღზარდოს მოქალაქეები სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების, საბჭ. კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალ. საერთო წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

თ. ლილუაშვილი.

სახალხო სოციალისტები, ენესები, სახალხო-სოციალისტური (შრომითი) პარტია, შრომითი სახალხო-სოციალისტური პარტია, წვრილბურჟუაზიული პარტია რუსეთში. 1906 გამოეყო ესერების მემარჯვენე ფრთას. ს.ს-ის პროგრამა წარმოადგენდა „ესერული პროგრამის გადაკეთებას რევოლუციურიდან ოპორტუნისტულ, მეშჩანურ-ლეგალურ პროგრამად" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 11, გვ. 284), რ-ის თანახმადაც „სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს" და რ-შიც იგულისხმებოდა ყველა მშრომელი — პროლეტარიატიდან ბურჟ. ინტელიგენციამდე. პროგრამა მოითხოვდა მემამულეთა მიწების ჩამორთმევას გლეხთა ინტერესებისათვის და დასაშვებად მიაჩნდა მისი გამოსყიდვა. 1918 პარტია გაუქმდა.

სახალხო უნივერსიტეტი, 1. სსრკ-ში — საზოგადოებრივი სასწავლო საგანმან. ორგანიზაცია; მისი მიზანია ხელი შეუწყოს მშრომელთა თვითგანათლებას, კულტურულ განვითარებასა და პროფესიული დონის ამაღლებას. ოქტ. რევ. შემდეგ შეიქმნა როგორც ზოგადსაგანმან. და კულტ.-საგანმან. მუშაობის ფორმა. 50-იან წლებში ს. უ-ები იქმნებოდა ახ. საწყისებზე. სკკპ პროგრამაში (1961) აღნიშნული იყო ს. უ-ების შემდგომი განვითარების აუცილებლობა. ს. უ-ის მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია სკკპ ცკ-ის 1968 წ. 8 ოქტ. დადგენილებაში „სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" ს. უ-ის ადგილი სახ. განათლების სისტემაში დამტკიცებულია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით სახ. განათლების შესახებ (1973). საქართველოში ს. უ-ებთან ერთად არსებობს სახ. აკადემიებიც (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. 2. დას. ევროპაში აშშ-სა და რევოლუციამდელ რუსეთში იმ საგანმან. დაწესებულებათა სახელწოდება, რ-ებიც მშრომელთა მასებში ავრცელებდნენ ელემენტარულ ზოგადსაგანმან. და პროფ. ცოდნას კაპიტალ. წარმოების ინტერესების შესაბამისად. პირველად გაჩნდა დანიაში (XIX ს. 40-იან წლებში), შემდგომ ინგლისში და სხვ. რუსეთში პირველი ს. უ. გაიხსნა 1879 მოსკოვში. ბოლშევიკები ს. უ-ს, როგორც კულტ.-საგანმან. ფორმას, იყენებდნენ მარქსიზმის გასავრცელებლად.

სახალხო ფრონტი, ხალხთა ფართო მასების ორგანიზაციის ფორმა ზოგიერთ ქვეყანაში. მისი მიზანია ბრძოლა იმპერიალიზმის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ დემოკრატიის, სოციალური პროგრესის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აგრეთვე მშრომელთა საარსებო ეკონომიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ს. ფ-ის საფუძველია მუშათა *ერთიანი ფრონტი*, რ-ის შექმნის პრინციპები, შემუშავებული ვ. ი. ლენინის მიერ, ჩამოყალიბებულია კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებში. ს. ფ-ის შექმნის აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ დადგა 1930-იანი წწ. დასაწყისში. ს. ფ. პირველად შეიქმნა საფრანგეთში 1935. 1936—38 ს. ფ-ზე დაყრდნობილმა მთავრობამ საფრანგეთში გაატარა მრავალი კანონი მუშათა, გლეხთა, წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აკრძალა ფაშისტური ორგანიზაციები და ამით თავიდან აიცილა ფაშისტური დიქტატურის დამყარების საფრთხე. 1936 თებ. ესპანეთში გაიმარჯვა ს. ფ-მა და მისი ხელმძღვანელობით ესპ. რესპ. ძალები 3 წლის განმავლობაში ებრძოდნენ ესპ. ფაშისტებსა და გერმ.-იტალ. ფაშისტურ ინტერვენტებს. კომინტერნმა არაერთხელ შესთავაზა *მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალს* ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნა, მაგრამ ამაოდ, რადგან სოცინტერნის ხელმძღვანელობა ჯიუტად უარყოფდა კომინტერნის წინადადებებს. II მსოფლიო ომის (1939—45) წლებში ოკუპირებულ ქვეყნებსა და ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოებში გაიშალა *წინააღმდეგობის მოძრაობა*. ზოგიერთ ქვეყანაში კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ეროვნ. ანუ ს. ფ., რ-მაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპისა და აზიის ქვეყნებში ეროვნ.-დემოკრ. და სოციალ. რევოლუციების გამარჯვებაში. დემოკრ. ძალების ერთიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1959 კუბის გამარჯვებისა და შემდგომში კუბის ციალ. განვითარებისათვის. ამგვარ ვითარებული კაპიტალ. ქვეყნების კომ ტური პარტიების წინაშე დადგა ერ ანტიმონოპოლისტური ფრონტის შ და განმტკიცების ამოცანა. ლათ. ქვეყნებში უცხ. მონოპოლიებისა და ნაო რეაქციის წინააღმდეგ 50— წლებში შეიქმნა ეროვნ. ფრონტის ორგანიზაციები. 1969 ჩილეში სახალხო ერთიანობის ბლოკი. მისი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარ შედეგად ჩილეში დაიწყო ძი სოც.-ეკონ. გარდაქმნები, რაც შეწ ფაშისტურმა გადატრიალებამ 1973 ში. აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. ქვე ეროვნ. ანტიიმპერიალ. ფრონტის ამოცანად, კოლონ. ბატონობისაგან ვისუფლების შემდეგ, დგას ეკონ. უკიდებლობის მიღწევის ამოცანა; საკითხი არაკაპიტალ. გზით განვით სა (მაგ., ნიკარაგუა), რაც იწვევს ფრონტის შემადგენლობის შეცვლა შათა კლასის როლის ზრდას. სა ეროვნ. ფრონტების შექმნისა და გა ცების მრავალმხრივი გამოცდილება კომუნისტური და მუშათა პარტიების თაშ. თათბირების (მოსკოვი, 1957, 1969) დოკუმენტებში, რ-ებმაც განს რეს ყველა ანტიიმპერიალ. ძალის ერ მოქმედების პროგრამა.

ი. კოშ

„სახალხო ფურცელი", ქართულ ლიტიკური და ლიტერატურული დღიური გაზეთი, სოც. ფედერალ პარტიის ორგანო. გამოდიოდა 19 თბილისში გაზ. *„სახალხო გაზეთის* ვლად. 1917 — 21 „სახალხო საქმე" 1914—17 გაზეთს ჰქონდა ყოველკვი „სურათებიანი დამატება", რედ.-გა მელი — დ. ჯორჯაძე.

სახალხო წარმომადგენელთა სრ ად ჩინეთის კრება, ჩინეთის სა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელის ბის უმაღლესი და ერთადერთი საკ დებლო ორგანო. იხ. *ჩინეთი*, სახე ფო წესწყობილება.

სახამებელი, მცენარის ძირითადი რაგო *ნახშირწყალი*, რ-იც წარმოე უჯრედის ორგანოიდებში (*ქლოროპ ტებსა* და ამილოპლასტებში) და გრ ბა ძირითადად თესლში, ძირხვენე ტუბერებში, აგრეთვე ფოთლებსა ღ როებში. ს. გროვდება მარცვლებ ნით, რ-თაც ფენოვანი სტრუქტურა და შეიცავენ მცირე რაოდენობით ცი და ლიპიდებს. ს-ის ზომა სხვადასხვ ორი პოლისაქარიდის — ხაზოვანის *ლოზის* და განტოტვილის — *ამილოპ ნის* ნაზავია; მათი საერთო ფორ $(C_6H_{10}O_5)_n$; როგორც წესი, ს. შ 10—30% ამილოზას, 70—90% ამილ ტინს. ს-ის პოლისაქარიდები აგე *გლუკოზის* ნაშთებისაგან, რ-ებიც შირებული არიან ამილოზისა და პექტინის ხაზოვან ჯაჭვებში α-1, კოზიდური ბმებით, ხოლო განშ წერტილებში — α-1,6-გლუკოზიდურ ბით. ს-ის, ნაწილობრივი ჰიდრო იძლევა *დექსტრინებს*, რ-საც პოლ ზაცია ნაკლებად ახასიათებს, სრულ როლიზით კი გლუკოზებად იშლება ფერმენტული ჰიდროლიზი შესაძლო დასხვა გზით. მცენარეული ფოსფო ზა შლის α-1,4-ბმას და წარმოქმნის კოზო-1-ფოსფატს, რ-იც აქტ. მეტა ტია. α- და β-ამილაზები აჰ მხოლოდ α-1,4-ბმებს; β-ამილაზა ს-ს მალტოზამდე და გლუკოზამდე. ბმების დაშლა და თავისუფალი გლ წარმოქმნა ხდება ამილო-1,6-გლუკ ზით. ობის სოკოების ფერმენტი კოამილაზა ს-ს შლის გლუკო ს-ის ბიოსინთეზის პირველწყაროა როზა. ს. მნიშვნელოვანი საკვები დუქტების ძირითადი ნაწილია (ფქ

კარტოფილში — 25%). კუჭ-ნაწ-ველად შეიწოვება, აქვს მაღალი ლობა — დაახლ. 4 *კკალ/გ*. ს-ს წარმოებულებს იყენებენ ქა-ქსოვილების, წებოს და სხვ. ში. როგორც სამკურნ. საშუა-შედის სხვადასხვა ფხვნილში, და პასტაში. ს-ის 1% ხსნარს როგორც ინდიკატორს, იოდის ად. *ნ. ნუცუბიძე.*

ᲫᲘᲡ ᲔᲥᲕᲘᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘ, საკვების ბის შეფასების ერთეული, რ-იც ა სახამებლის რა რაოდენობას ბა (ცხიმის დაგროვების მხრივ) კვები. ეს ერთეული XIX ს. ბო-XX ს. დასაწყისში შეიმუშავა კნ. ო. კელნერმა გასასუქებელ ჩატარებული რესპირაციული ფუძეელზე. ს. ე-ს იყენებენ ინგ-დრ-ში, გფრ-ში და სხვ. სსრკ-ში ეყათიანოიის გაანგარიშებას სა-უდეევს საბჭ. საკვები ერთეული.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ტექნიკურ სა-ა კომპლექსი სათავსში ხანძრის , ჩაქრობის, ლოკალიზაციის ან ისათვის. ს. ა. ისეთ შენობებსა ებშია, სადაც დიდია ხანძრის ბა. ს. ა. ორგვარია: ავტომატუ-გარკვეული პროგრამით მოქმე-ოპერატორის მეშვეობით მომუ-ა-ის სისტემაში შედის: ანთების გადამწოდი, საგანგაშო სიგნა-ხელსაწყოები, შემსრულებელი რობი მოწყობილობა, ჩამკეტ-ბული არმატურა, ცეცხლსაქრო-ერების მკვებავი, ზოგჯერ კი წარმოების ტექნოლ. პროცესის მოწყობილობაც. შემსრულებელ ობად იყენებენ საფრქეველს, ტორს, მილსაცმს, რ-ებიც წარ-და მიმართავენ ცეცხლსაქრობი ის (სითხე, ქაფი, ფხვნილი, აი-ს ობიექტზე. ყველაზე მეტადაა ბული წყლის (სპრინკლერიანი ერიანი), ნახშირორჟანგის, აერო-და ფხვნილის სისტემები. ხანძ-ბიდან ამუშავების დროის მიხედ-ის სისტემები არის ზესწრაფმოქ-ი წმ-მდე). სწრაფმოქმედი (3 და ჩვეულებრივი (180 წმ-მდე). რობ საშუალებათა უწყვეტი მი-ბა ელდება 30 წმ-იდან 60 წთ-მდე.

ბ. აბელედიანი.

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ, ემსახურება ვაცვის საქმეს, ხანძრის ადგილზე ბრძოლო დანაყოფი, იქვე მიაქვს რობი საშუალებები და სახანძრო ობა. სსრკ-ში ს. ა-ებს უშვებენ შასის ბაზაზე.. ს. ა-ზე დაყენე-ხმარე აგრეგატები (პიდრომო-ა, საკომპრესორო დანადგარები მუშაობს ავტომობილის ძრავას ., განასხვავებენ ს. ა-ის 3 სახე-ითად, სპეციალურსა და დამხ-რ ი თ ა დ ი ს. ა-ებია ავტო-ი (ყველაზე გავრცელებული), ელოიანი ს. ა-ები და ავტო-სატუმბი სადგურები, აერ-ჰაერ-ქაფიანი და სხვა ს. ა-ები, ზარი დანიშნულებაა ცეცხლსაქ-ალების მიწოდება ხანძრის კე-წყლიან ს. ა-ს, რ-საც აქვს ტურ-ული დანადგარი, იყენებენ ნავ-აერის ჭაბურღილზე წარმოქმ-ძრის ჩასაქრობად, ჰაერქაფიან – ჰაერ-მექან. ქაფის მისაწოდებ-კერაში, როცა იწვის ნავთობ-ბი ნავთობგადასამუშ. ქ-ნებში ვუარებში. **ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი** ტექ., შტაბისა, მაკავშირებელი, ანი და სხვ., აგრეთვე საავტ. კიბეები. ტექ. სამსახურის ს. ნიშნულებაა ხანძრის ადგილზე დანაყოფის სწრაფი მიყვანა, ახანძრო მოწყობილობებისა და ბების მიტანა. სახელოებიან ს. ა-ებს, რ-ებიც სახანძრო სატუმბ სადგურებთან ერთად მუშაობს, იყენებენ დიდი ხანძრის დროს სადაწნეო სახელოების ადგილზე მისატანად. **დ ა მ ხ მ ა რ ე** ს. ა-ები უზრუნველყოფს სახანძრო ტექ. მუშაობას დიდი ხანძრის დროს. სატრანსპ. ნაკადიდან გამოსაყოფად ყველა ს. ა-ს ლებავენ წითლად და უკეთებენ „სირენის" ტიპის ბგერით სიგნალს.

ბ. აბელედიანი.

ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ-ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ, სპორტის სახეობა, რ-იც მოიცავს ხანძრის ჩაქრობის პრაქტიკაში გამოყენებული სხვადასხვა წესის კომპლექსებს. ს.-გ. ს-ის შეჯიბრებებში (პირადი და გუნდური) შედის სხვადასხვა ვარჯიში — დაბრკოლებათა გადალახვა, სახანძრო კიბით ასვლა, სახანძრო-ტექ. საბრძოლო აღჭურვილობის ხმარების ცოდნა და სხვ. თანამედროვე პროგრამაში შედის შეჯიბრებათა 6 სახეობა (სრულდება მეხანძრის საბრძოლო ტანსაცმელში).

ს.-გ. ს. ჩაისახა სსრკ-ში; 1937 შედგა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის სახანძრო დაცვის პირველი შეჯიბრება. 1945-იდან შეჯიბრებები რეგულარულად ტარდება. 1948-იდან ეწყობა სსრკ ჩემპიონატები, 1965-იდან — სპორტსაზ-ბების „დინამოსა" და „ლოკომოტივის" პირველობა და სხვ. 1963-იდან ს.-გ. ს. შეტანილია *ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში*. 1964 შეიქმნა ს.-გ. ს-ის ფედერაცია. 1968 ლენინგრადში ჩატარდა პირველი საერთაშ. შეჯიბრება ს.-გ. ს-ში, რ-შიც მონაწილეობდა სსრკ-ის, ბულგ. სრ-ის, გდრ-ის და რუმინ. სრ-ის გუნდები.

ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ ᲒᲔᲛᲘ, გემზე ან სანაპირო ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხანძრის საქრობი გემი. ს. გ-ზე დგამენ ტუმბოებს, რ-ებსაც ამუშავებს სპეც. ან გემის სავალი ძრავები. ამ ტუმბოების მწარმოებლურობაა 200—1000 $მ^3$/სთ. ცეცხლსაქრობი ნივთიერების ჭავლის გამფრქვევი ე. წ. ლაფეტური ლულები (2—8) ჩვეულებრივ მთავსებულია ს. გ-ის ცხვირზე, კიჩოსა და ზედნაშენზე; შესაძლებელია ამ ლულების დისტანციური მართვა. მაქაფებელი ნივთიერებებით ავსებული ცისტერნები საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ს. გ. ტანკერზე ან საწყობში აალებული ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ჩასაქრობად. ს. გ-ის პერიმეტრზე გაჰყავთ სარწყავი სისტემის მილსადენები, რის გამო ს. გ-ს შეუძლია ცეცხლმოდებულ ობიექტთან მიახლოება. ცეცხლსაქრობი ნივთიერების ჭავლის სიგრძეა 100—120 მ.

ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ ᲓᲐᲪᲕᲐ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რ-ის მიზანია ადამიანების სიცოცხლის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების ცეცხლისაგან დაცვა; ორგანიზაცია, რ-იც ებრძვის ხანძარს. თანამედროვე ს. დ-ის მთავარი ამოცანაა *სახანძრო პროფილაქტიკა*. უშუალოდ ხანძრის ჩაქრობა ევალება სახანძრო ნაწილებს, რ-ებიც იყენებენ *სახანძრო ტექნიკას*: *სახანძრო ავტომობილს*, *სახანძრო გემს*, *სახანძრო თვითმფრინავს* და სხვ.

ძვ. საქართველოში ს. დ. ეკისრებოდა მოსახლეობას, რ-იც ვალდებული იყო ეკლესიის ზარით საგანგაშო ხმის გაგონებისთანავე წასულიყო ხანძრის ადგილზე და წყალიც მიეტანა იქ. ეკლესიასთან დაწესებული იყო სადღეღამისო მორიგეობა ხანძრის დანახვისთანავე განგაშის ასატეხად. უშუალოდ ხანძრის ჩაქრობა ეკისრებოდათ ცეცხლის ქრობის ოსტატებს — „ხანძარჩებს". თბილისში პირველი სახანძრო რაზმი შეიქმნა 1820, ქუთაისში კი—1874. რუსეთში ს. დ. ჩამოყალიბდა 1803 (ჯერ პეტერბურგში, შემდეგ—მოსკოვში). სსრკ-ში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა ს. დ-ს მას შემდეგ, რაც 1918 წ. 17 აპრ. ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „ცეცხლთან ბრძოლის სახელმწიფო ზომების ორგანიზაციის შესახებ". ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა და იარაღდებოდა ს. დ. ტექ. განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა ს. დ-ის მართვის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმის ძიება. 1934 სსრკ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან შეიქმნა ს. დ-ის მთავარი სამმართველო. 1966-იდან ს. დ-ს ხელმძღვანელობს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო. 1941—45 დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის მოსკ. და ლენინგრ. ს. დ. დაჯილდოეს ლენინის ორდენით. სსრკ-ში არსებობს ხანძარსაწინააღმ დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. აგრეთვე სასწავლებლები, რ-ებშიც ამზადებენ სახანძრო საქმის ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.


ს ო ც ი ა ლ. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ შ ი ს. დ. აგებულია მუშაობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პრინციპებზე, **კ ა პ ი ტ ა ლ. ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს უმრავლესობაში კი** —ხელისუფლების ადგილ. ორგანოების მუშაობაზე.

სსრკ სხვა ქვეყნებთან ერთად არის ხანძრის აცილებისა და ჩაქრობის საერთაშ. ტექ. კომიტეტის (დაარსდა 1900) წევრი.


ბ. აბელედიანი.

ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ, უმთავრესად ტყის ხანძრის ჩასაქრობი თვითმფრინავი. ზიდავს 600—1000 ლ თხევად ცეცხლსაქრობ ნივთიერებას (წყალი ან სპეც. ხსნარები), რ-საც პილოტი 1,5—2 წმ განმავლობაში გადმოაფრქვევს ხანძრის კერის ადგილზე. ს. თ-ად შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალურად მოწყობილი *შეეულმფრენი*, რ-იც იტევს 8 ტ-მდე წყალს. სსრკ-ში ს. თ-ად იყენებენ ან-2, იაკ-12 თვითმფრინავებს და მი-6, მი-8, ვ-8 შვეულმფრენებს. იხ. აგრეთვე *სახანძრო ტექნიკა*.

ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ, სარკინიგზო შედგენილობა, რ-ის დანიშნულებაა რკინიგზასა და მის მახლობლად მდებარე ობიექტებზე წარმოქმნილი ხანძრის ჩაქ-




ამილოზის მოლეკულის მონაკვეთი



ამილოპექტინის მოლეკულის მონაკვეთი

სახამებელი.



სახანძრო ტექნიკა

ნახ. 1. ორთქლით მომუშავე სახანძრო მილი.




ნახ. 2. ავტომობილი—ეტლი.



ნახ. 3. მძიმე სახანძრო სააეროდრომო ავტომობილი აა-60 (543)-160 (სსრკ).



ნახ. 4. სახანძრო ავტოკიბე, რომელსაც უშვებს ფირმა „მეტეი" (გფრ).



ნახ. 5. ზუხლა საწეველა, რომელსაც უშვებს ფირმა „სიმონი" (დიდი ბრიტანეთი).

რობა. ს. მ-ში შედის სატუმბდანადგარიანი ვაგონი, რამდენიმე წყლის ცისტერნა და ვაგონ-გარაჟი. ვაგონ-სატუმბი სადგური ეწყობა სამგზავრო ვაგონის ბაზაზე. აქვს ორი განყ-ბა (ერთი გათვალისწინებულია პირადი შემადგენლობისათვის, მეორე — მანქანებისათვის). ცისტერნების ტევადობაა 25—30 $მ^3$. ვაგონ-გარაჟში ათავსებენ სახანძრო ავტოცისტერნას.

სახანძრო პროფილაქტიკა, სისტემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებებისა, რ-ებიც ტარდება ხანძრის აცდენის, წარმოქმნილი ხანძრის გავრცელების შეზღუდვის, ცეცხლმოდებული შენობებიდან ადამიანების ევაკუაციის პირობების შექმნისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით. ს. პ. *სახანძრო დაცვის* მუშაობაში ძირითადი მიმართულებაა. სახანძრო უსაფრთხოების სახელმწ. სტანდარტების, ნორმებისა და წესების სისტემა სსრკ-ში საზღვრავს ს. პ-ის მოთხოვნებს სამრეწვ. და სას.-სამ. საწარმოებში, საწყობებში, მაღაზიებში, ადმ. და საცხოვრ. სახლებში და ა. შ. პროფილაქტ. ღონისძიებათა სისტემაში მთავარი ყურადღება ექცევა ხანძრის აცდენას. ამისათვის საწარმოებსა და დაწესებულებებში ყველა მომუშავისათვის შემოღებულია სავალდებულო ხანძარსაწინააღმ ინსტრუქტაჟი, ამასთან ერთად ეწყობა მუდმივად მოქმედი სახანძრო-ტექ. გამოფენა. შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში ითვალისწინებენ ს. პ-ის მოთხოვნებს: იყენებენ უწვავ და ცეცხლისაგან დაცულ მასალას, ტოვებენ ხანძარსაწინააღმ ინტერვალებს შენობებს შორის, შენობებს ყოფენ ცეცხლმედეგი კედლებითა და გადახურვებით იზოლირებულ ზონებად, ნაკვეთურებად და ა. შ. ხანძარსაწინააღმ წყალსადენებისა და რეზერვუარების, შენობებთან მისასვლელების, აგრეთვე სტაციონარული გარე სახანძრო კიბეების მოწყობა იმის საშუალებას იძლევა, რომ სახანძრო ნაწილებმა და ნებაყოფლობითმა სახანძრო რაზმებმა ეფექტურად გამოიყენონ *სახანძრო ტექნიკა*. ისეთ შენობებსა და სათავსებს, რ-ებშიც ხანძრის გაჩენის საშიშროება დიდია. უკეთებენ სპეც. ავტომ. დანადგარებს. ეს დანადგარები ცეცხლის გაჩენისთანავე ავტომატურად იძლევა სიგნალს და ადამიანების ჩარევის გარეშე სპობს ხანძრის კერას (იხ. *სახანძრო ავტომატიკა*). დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ხანძრის გაჩენისას ადამიანების შენობიდან სწრაფისა და უსაფრთხო ევაკუაციის პრობლემას.

სოციალ. ქვეყნებში ს. პ-ს უზრუნველყოფენ სახანძრო მეთვალყურეობის სახელმწ. ორგანოები, ხოლო კაპიტალ. ქვეყნებში — ხელისუფლების ადგილ. ორგანოები და სახანძრო დაცვა უმთავრესად ხანძრის ჩაქრობას ემსახურება.

სახანძრო სიგნალიზაცია, ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რ-ის დანიშნულებაა ცეცხლის გაჩენის მყისი ფიქსირება და მისი ადგილის შეტყობინება. ს. ს. მოიცავს: სახანძრო მაუწყებლებს, მიმღებ მოწყობილობას, კავშირგაბმ. ხაზებს, კვების წყაროებს. სახანძრო მაუწყებლები წარმოადგენს დაცვის პუნქტზე ხანძრის გაჩენის ელექტრული სიგნალის გადასაცემ მოწყობილობას, რ-იც ან ხელით ჩასართავია, ან ხანძრის თანმხლებ ფაქტორზე (სითბო, კვამლი, სინათლე) ავტომატურად მარეაგირებელი. მიმღები მოწყობილობის დანიშნულებაა სახანძრო სიგნალის მიღება, დასაცავი ობიექტის ნომრის ინდიკაცია, საგანგაშო სიგნალის მიღების მაუწყებელი ბგერითი სიგნალიზაციის ჩართვა და სხვ.

სახანძრო ტექნიკა, ტექნიკური საშუალებანი, რ-თა დანიშნულებაა ხანძრისაგან ადამიანების გადარჩენა, მატერიალური ფასეულობისა და ბუნებრივი სიმდიდრის ცეცხლისაგან დაცვა. ს. ტ-ის ძირითადი საშუალებებია სახანძრო მანქანები (*სახანძრო ავტომობილი, სახანძრო მატარებელი, სახანძრო გემი, სახანძრო თვითმფრინავი* და შეეულმფრენი), აგრკთვე ხანძრის ქრობისა და *სახანძრო სიგნალიზაციის* სტაციონარული დანადგარები, ცეცხლსაქრობი, გარე სახანძრო ონკანი (ჰიდრანტი) და სხვ. ს. ტ-ის შექმნის პირველი ცდები ჯერ კიდევ ახ. წელთაღრიცხვამდე ტარდებოდა (ქტესიბიოსის წყლის სატყორცნი მანქანა). XVI ს. გერმ. ა. პლატნერმა ააგო ხელის სახანძრო ტუმბო, რ-ის მეშვეობით შეიძლებოდა მანქანიდან 6—8 *მ*-ის მანძილზე წყლის ჭავლის გატყორცნა, 1672 კი ჰოლანდ. იან ვან დერ ჰეიდემ ამ ტუმბოს გაუკეთა საბრუნი სახელო, რამაც ტუმბო დიდი ხნით აქცია ხანძრის ქრობის მთავარ იარაღად. *ორთქლის მანქანის* გამოგონების შემდეგ ლონდონში 1829 ააგეს პირველი სახანძრო დანადგარი, რ-ის ტუმბოები მუშაობდა ორთქლის მეშვეობით. ეს დანადგარი დამაგრებული იყო ცხენის ოთხთვალაზე. რუსეთში ორთქლის სახანძრო ტუმბოს გამოყენება 1862 დაიწყეს (ნახ. 1). მისი მწარმოებლურობა იყო 1000—2000 *ლ/წთ*, ხოლო წყლის ჭავლის სიგრძე — 40 *მ*-მდე. 1896 მოსკოვში დაიწყეს ტუმბოების დამზადება. 1892 გერმანიაში ააგეს პირველი ავტომობილი, რ-საც ჰქონდა მექან. სახანძრო ტუმბო, ხოლო 1907 გამოჩნდა პირველი ავტომობილზე დამონტაჟებული მექან. სახანძრო კიბე. ავტომობილმა მნიშვნელოვნად შეცვალა ხანძრის ქრობის ტაქტიკა: გაფართოვდა მომსახურების რ-ნი, დაჩქარდა მეხანძრეთა მისვლა ხანძრის ადგილზე და ა. შ. პირველი სახანძრო ავტომობილი მოსკოვში 1907 გამოჩნდა. იგი მოსკოვშივე დაამზადეს (ნახ. 2).

დიდხანს ძირითადი ცეცხლსაქრობი საშუალება იყო წყალი, მაგრამ ზოგჯერ (მაგ., აალებული ზეთის, ნავთობის ჩაქრობისას) იგი არ იძლეოდა საჭირო ეფექტს. XX ს. დასაწყისში ბაქოელმა ა. ლორანმა ცეცხლსაქრობ საშუალებად შემოგვთავაზა ქიმ ქაფი, რ-მაც ფართო გამოყენება პოვა მთელ მსოფლიოში. საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველი თვეებიდანვე სსრკ-ში დიდი ყურადღება მიაქციეს ს. ტ-ის განვითარებას (იხ. *სახანძრო დაცვა*). 1928 დაიწყო სახანძრო ავტომობილების სერიული გამოშვება. სსრკ-ს პრიორიტეტი ეკუთვნის ცეცხლმოდებული აირნავთობის შადრევნების აფეთქების მეთოდით ჩაქრობის ტექნიკასა და ხერხების დამუშავებაში. ეს ტექნიკა და ხერხები შემდგომ გავრცელდა მთელ მოსფლიოში. 1967-იდან სსრკ-ში დაიწყეს ს. ტ-ის ახ. სახეობის — აირწყლით ქრობის დანადგარის გამოყენება. საბჭ. მრეწველობამ აითვისა თანამედროვე ს. ტ-ის წარმოება (მაგ., სააეროდრომო სამსახურის მძიმე სახანძრო ავტომობილი; ნახ. 3). საზღვარგარეთ ს. ტ-ის წარმოებაში წამყვანი ადგილი უკავია გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიას. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ს. ტ-ის შექმნაში აგრეთვე გფრ-სა და დიდ ბრიტანეთს (ნახ. 4, 5).

ბ. ახვლედიანი.

სახარატო ჩარხი, ლითონსაჭრელი ჩარხების უძველესი სახეობა, რ-ის დანიშნულებაა ბრუნვის სხეულების ხარატებით (ბურბუშელის ათლით) დამუშავება. ს. ჩ-ში შედის სახარატო-ხრახნსაჭრელი, სახარატო-მრავალსაჭრისიანი, სახარატო-რევოლვერული, კარუსელური და სხვა ტიპის ჩარხები. განასხვავებენ უნივერსალურსა და სპეციალიზებულ ს. ჩ-ებს. პირველს ეკუთვნის სახარატო და სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხები. ამ უკანასკნელზე შეიძლება ცილინდრული, კონუსური, მოყვანილი და სხვა სახის გარე და შიგა ზედაპირების ხარატება, კუთხვილების მოჭრა, ნახვრეტების ბურღვა, ზენკერება და სხვ.; სპეც. სამარჯვეების გამოყენებისას შესაძლებელია აგრეთვე ფრეზვა, ხეხვა და სხვ. ს. ჩ-ზე სრულდება ყველა სახის სახარატო სამუშაო კუთხვილების მოჭრის გარდა. სპეციალიზებულ ს. ჩ-ებს ეკუთვნის: უცენტრო ს. ჩ-ები, გლინსახარატო, სახარატო-ზურგული და სხვ.

სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხზე შპინდელზე წამოგებულ ვაზნაში ან შპინდელსა და უკანა ვეგის ცენტრებზე დამაგრებული ნამზადი ასრულებს მთავარ ბრუნვითს (ჭრის) მოძრაობას. შპინდელი მოთავსებულია წინა ვეგში: შპინდელის ბრუნვის სიხშირეს არეგულირებენ მთავარი მოძრაობის ამძრავით, სუპორტზე (საჭრისის დასაჭერი და გადასაადგილებელი კვანძი) დამაგრებული იარაღი (საჭრისი) ასრულებს გრძივი ან განივი მიწოდების მოძრაობას. სუპორტი შედგება გრძივი ნალოსაგან (რ-იც სადგარის მიმმართველებზე გრძივად გადაადგილდება) და განივი ნალოსაგან, რ-იც განივად გადაადგილდება გრძივი ნალოს მიმმართველებზე, აგრეთვე ზედა ნალოსაგან, რ-საც აქვს საჭრისების დამჭერი და რ-იც კონუსების გაჩარხვისას შეიძლება მობრუნდეს კუთხით. მიწოდების მექანიზმი მოძრაობას იღებს შპინდელისაგან. მიწოდებებს არეგულირებს მიწოდებათა კოლოფი, რ-იც ქუროებით სავალ ხრახნს ან სავალ ლილვს უერთდება. ჩარხს აქვს მაბლოკირებელი მექანიზმი, რ-იც გამორთიშავს სუპორტის ერთდროულად მიწოდებას სავალი ხრახნიდან და სავალი ლილვიდან. სუპორტის სწრაფი უქმი გადაადგილებისათვის ჩარხს აქვს ცალკე ელექტროძრავა.

სერიული წარმოების ავტომატიზაციის მოთხოვნის გამო განვითარდა რიცხვით-პროგრამული მართვის ს. ჩ-ების წარმოება, რ-ებშიც მთავარი მოძრაობის ელექტროძრავას გაშვება, რეევრსი და გაჩერება, შპინდელის სიჩქარეთა გადართვა, მიწოდებათა უსაფეხურო ცვლა, მჭრელი იარაღის ავტომატურად შეცვლა და სხვა წინასწარჩაწერილი პროგრამით ხდება. ზოგჯერ იარაღების გაწყობა ხდება ჩარხის გარეთ.


უნივერს. სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხებს სერიულად უშვებენ მოსკ. ქ-ნა „კრასნი პროლეტარი", რიაზანის ჩარხთაშენი და სხვ. ქ-ნები, აგრეთვე თბილ. ს. კიროვის სახ. საწარმოო გაერთიანება „ჩარხთმშენებელი". 1М63 მოდელის ჩარხი იგზავნება საზღვარგარეთის ქვეყნებში; უშვებენ აგრეთვე პროგრამული მართვის ჩარხს. სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხს უმეტესად იყენებენ ინდივიდ. და წვრილსერიულ წარმოებაში. მსხვილსერიულ და მასობრივ წარმოებაში იყენებენ სახარატო და რევოლვერულ ავტომატებს და ნახევრად ავტომატებს (იხ. აგრეთვე სტ. *ავტომატური ჩარხი*).

ლიტ.: Металлорежущие станки, 2 изд., М., 1979.


კ. ნუცუბიძე.

სახარებიო, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (მენჯის სოფსაბჭო), მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 60 *მ*, ცხაკაიადან 6 *კმ*. ახალსენაკის დაფნის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ბათარიაში (2 *კმ*). ბ-კა.

სახარება, ევანგელე (ბერძნ. euangelion — ხარება, სასიხარულო ამბის უწყება), სახელწოდება *ახალი ალთქმის* პირველი ოთხი წიგნისა, რ-ებიც შეიცავენ



საშრანგეთი ეკონომიკური რუკა



დამუშავებითი მრეწველობა

- მაყი მეტალურგია
- ფერადი მეტალურგია
- ალუმინის მეტალურგია
- მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება
- ელექტროტექნიკური
- გემთმშენებლობა
- ავტომშენებლობა
- ავიასარაკეტო
- ქიმიური
- ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური
- აგომური
- საბენი მასალებისა და ფაიფურ ქამანურის
- ხის დასამუშავებელი და ქაღალდის
- საფეიქრო
- ბამბეულის
- მაღეულის
- აბრეშუმის
- სამკერვალო
- ტყავ-ფეხსაცმლის
- კვების
- პოლიგრაფიული

შენიშვნა: საბრუნველი აუნქტების სიდიდე დაახლოებით შეესაბამება მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობას

სასარგებლო ნიადისაველის მოპოვება

- ნავთობი
- ბუნებრივი აირი
- ქვანახშირი
- მურა ნახშირი
- რკინის მადანი
- ალუმინის მადანი
- პოლიმეტალური მადანი
- ურანის მადანი
- კალიუმის მარილები
- სუფრის მარილი
- მინერალური წყარონი

სოფლის მეურნეობა

- ინტენსიური მემინდვრეობა (ხორბალი და მაჭრის ჭარხალი) სარძეო სახორცე მეცხოველეობასთან ერთად
- მემინდვრეობა (უპირატესად მარცვლეული კულტურები) სახორცე-სარძეო მეცხოველეობასთან ერთად
- ინტენსიური სარძეო მეცხოველეობა კულტურულ მდელოებზე
- მეცხოველეობა ბუნებრივ და კულტურულ მდელოებზე მემინდვრეობასთან ერთად
- სარძეო-სახორცე მეცხოველეობა მთის საძოვრებზე (ალპური და სუბალპური ტიპისა)
- მევენახეობა
- მებოსტნეობა და მებაღეობა

- ბრინჯი
- სიმინდი
- სელი
- თამბაქო
- კარგოფილი
- მაჭრის ჭარხალი
- სეა
- ვაშლი
- მეფუტკრეობა
- ზეთსახილის გავრცელების ჩრდილოეთ საზღვარი
- ბაე

პიდროელექტრო-სადგურები

- 200 დან 545 ათას კვტ მდე
- 200 ათას კვტ მდე (მნიშვნელოვანი)

თბოელექტრო-სადგურები

- 500ათას კვტ ზე მეტი
- 500 ათას კვტ მდე (მნიშვნელოვანი)
- აგომური ელექტრო-სადგურები
- ნავთობსადენები
- მნიშვნელოვანი აირსადენები

კ. კორსიკა



- სანაოსნო მდინარეები და არხები

ნავსადგურების ნლიური ტვირთბრუნვა

- 80 მლნ. ტონაზე მეტი
- 30-დან 50 მლნ.ტონამდე
- 5-დან 20 მლნ. ტონამდე
- 1-დან 5 მლნ. ტონამდე
- თეუგზერის ნაუსადგური

1:5 400 000

რებას ქრქრისტეს შობის, ცხოვრების, ვნე-
ისა და აღდგომის შესახებ. ს. ამ მნიშვნე-
ობით გუზუნდება მარკოზის ს-ის პირველ-
ვე მუხლში. არსებობს 4 კანონიკური ს.
სათესი, მ მარკოზისა, ლუკასი და იოანე-
ს). ოთხივეს ერთად ეწოდება ოთხთავი.
ონიკურია ს. ქრისტ. მოძღვრებისა და
ლტის ერ-ერთი მთავარი წყაროა. არ-
ებობს აპოკრიფული ს-ებიც. თეოლოგიის
ხედვით, ი, მათე და იოანე ქრისტეს მოცი-
ულები იყიყვნენ, მარკოზი პეტრე მოციქუ-
ის მოწაფაფე იყო, ლუკა კი — პავლე მოცი-
ულისა. ჩ მათეს, მარკოზისა და ლუკას
ებს მეტი ჯი აქვთ საერთო, მათ XVI ს-იდან
ნოპტიკუჯურ (ბერძნ. synoptikos<syno-
ē — ერთიათად, ერთდროულად დანახვა)
ებს უწოდებენ. *მკვდარი ზღვის ხელნა-
ერთა* აღმოჩენის შემდეგ თანამედროვე
ეოლოგიაიაში დამკვიდრდა აზრი, რომ 4
ხარებელი გოლგოთის მისტერიის შე-
ცნებისა ა და პიროვნების სრულყოფის 4
ვადასხვა კა გზას გადმოგვცემს; ს-ები ერთ-
ანეთს ავსვსებენ და ყოველი მათგანი ქრის-
იანობის ი არსის სხვადასხვა ასპექტს ავ-
ენს, ყოველ მათგანში ადამიანთა ცნო-
ერების ი სხვადასხვა დონის გათვალის-
ინებით ხ ხდება მესიის ხარება, ამიტომ
ოჩვენებითითია მათ შორის წინააღმდეგო-
ები, რაზეც გარკვეული დროიდან გა-
ხვილდა ა ყურადღება. ამავე აზრით,
-ებში ყოფიერი სინამდვილიდან აღებული
ატები სულიერი პროცესების ამსახველია.
-ის წიგნების დაწერის თარიღზე სხვადა-
ვა მოსაზრება არსებობს, ფიქრობენ, რომ
ამოყალიბდა I—II სს. მიჯნაზე. მათეს ს.
აიწერა ე ებრ. ენაზე. მასში მესიის მოსვ-
ა გაგებულია, როგორც ძველი აღთქმის
ინასწარმეტყველების ახდენა. მას „ებრა-
ულ ს-ს“ უწოდებენ. დანარჩენი 3 ს. ბერძნ.
ნაზე დაიწერა. მარკოზის ს-ს „რომაულ
-ს“ უწოდებენ, დაიწერა ალექსანდრია-
ი; მასში ე გამოკვეთილია კოსმოსური ღვთა-
ბრივი ი იმპულსის შემოსვლა კაცობრიო-
ის განვითარებაში. ლუკას ს-ში ქრისტი-
ნობის ასპექტია წამოწეული, მას „გუ
ღითადობის ს-ს“ უწოდებენ. იოანეს ს.
დაიწერა ე ეფესოში, მას „სულიერ“ ან „პნევ-
ატურ“ ს-ს უწოდებენ (კლემენტ ალექ-
ანდრიელი), რამდენადაც მასში ღვთაებ-
რივი სიტყვის განსხვეულებაა განსაკუთ-
რებით გაშმოკვეთილი. საფიქრებელია, რომ
ართულადდ ს. თარგმნეს ქართლის მოქცე-
ისთანავე ე (337). იაკობ ხუცესის „შუშა-
იკის წარმებაში“ დადასტურებულია ს-ის
„ევანგელელე“) არსებობა. V—VI სს. პალიმ-
სესტები ს-ის ფრაგმენტებს შეიცავენ.
კიორგი მთაწმიდლის ცნობით, არსებულა
ანმეტყრი და საბაწმიდური რედაქციე-
ბი. ს-ის უძველესი ქართ. დათარიღებუ-
ი ხელნაწერია ადიშის ოთხთავი (897).
X ს-ით თარიღდება ურბნისის (906), ოპი-
ხის (913)), ჯრუჭის (936), პარხლის (973)
ოთხთავებები. შემდეგ ს. თარგმნეს ექვთიმე
მთაწმიდელმა, გიორგი მთაწმიდელმა,
იოანე ჭიჭმჭიმელმა. გიორგი მთაწმიდლის
თარგმანმა კანონიკური უფლება მოიპოვა
ქართ. ეკლესიის პრაქტიკაში და საყოველ-
თაოდ იყო გავრცელებული. ს-ის ქართ.
თარგმანებმა დიდი წვლილი შეიტანეს ძვ.
ქართ. ლიტ-რის განვითარებაში. პირველ-
ად ს. (გიორგი მთაწმიდლის რედაქ-
ცია) გამოსცა ვახტანგ VI-მ (1709) თბი-
ლისში, მმის მიერ დაარსებულ სტამბაში.
ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ს-ების ტექს-
ტი გამოსცა ა. შანიძემ („ქართული ოთხ-
თავის ორი ძველი რედაქცია“, თბ., 1945),
ი. იმნაიშვილმა გამოსცა ს-ის ექვთიმე და
გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია (ქა-
რთული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია,
თბ., 1979). მანვე შეადგინა ს-ის სიმფო-
ნია-ლექსიკონი. (თბ., 1948—49).

ტექსტები: ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თბ., 1963.

ლიტ.: ქ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *მ. გიგინეიშვილი.*

სახარე ტბა, მლაშე ტბა საგარეჯოს რ-ნში, იორის ზეგანზე, ზ. დ. 828 *მ.* სარკის ფართ., როცა დონე მაღალია (გაზაფხულზე) 0,076 *კმ²*. ზაფხულში თითქმის მთლიანად შრება. *ი. აფხაზავა.*

სახარეზო მასალა, ლითონის, პლასტმასის ან ხის ძელაკები ან ფირფიტები, რ-ებსაც იყენებენ სასტამბო ანაწყობში სიტყვების, სტრიქონებს და მისთ. შორის შუალედების (ხარვეზების) შესაქმნელად. ს. მ-ის სიმაღლეა 20,3 *მმ*, ხოლო შრიფტისა — 25,1 *მმ*; ამის გამო საამწყობო ფორმაზე წასმული საღებავი ხვდება მხოლოდ საბეჭდ ელემენტებზე, რაც უზრუნველყოფს დაბეჭდილ ადგილებს შორის სუფთა შუალედების დატოვებას. ზომისა და დანიშნულების მიხედვით ს. მ-ის სახეობებია: შ პ ა ც ი და კ ვ ა დ რ ა ტ ი (სტრიქონებში შუალედების შესავსებად), შ პ ო ნ ი და რ ე გ ლ ე ტ ი (სტრიქონებს შორის შუალედების გასადიდებლად), ბ ა ბ ა შ კ ა და მ ა რ ზ ა ნ ი (სვეტში მსხვილი ხარვეზების და არეების მისაღებად).

სახარისმალალი, მწვერვალი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდ. განშტოების — კიდეგანის ქედზე. სიმაღლე 3906 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი. *მ. უთმელიძე.*

სახარისწყალე, უღელტეხილი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდ. განშტოების — კიდეგანის ქედზე. სიმაღლე 3597 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ახასიათებს ალპ. და სუბნივალური ლანდშაფტი. უღელტეხილზე გადადის საცალფეხო გზა ხევსურეთიდან ჩაჩნ.-ინგ. ასსრ-ში.

სახაროვი ანდრია დიმიტრის ძე (დ. 21. V. 1921, მოსკოვი), საბჭოთა ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი (1942). 1945-იდან მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. პ. ლებედევის სახ. ფიზ. ინ-ტში. ძირითადი შრომები აქვს თეორ. ფიზ. საკითხებზე. 1950 ი. *ტამთან* ერთად წამოაყენა იდეა— გამოეყენებინათ მაგნ. ველში მოთავსებული გახურებული პლაზმა და ტოროიდული მაგნ. საჭერები მართვადი თერმობირთვული რეაქციის განსახორციელებლად.

თხზ.: Теория магнитного термоядерного реактора, კრ.: **Физика плазмы и проблема управляемых термоядерных реакций**, т. 1, М., 1958.

სახასო, მეფის, მისი ოჯახის წევრებისა და თავადების დომენი ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი ხშირად გვხვდება XVIII ს. ქართ. სამართლის ძეგლებსა და ისტ. დოკუმენტებში. ნაწარმოებია არაბ. სიტყვიდან „*ხას*“ (კერძო, საკუთარი, გამორჩეული პირი).

წყარო: დასტურლამალი, წგნ: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970; მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, I—აღწერა მეწინავე დროშისა საბარათა შვილოსა და სომხითისა, ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1907. *ნ. შოშიაშვილი.*

სახახუბიო, სოფელი აფხ. ასსრ გალის რ-ნში (ბედიის სოფსაბჭო), მდ. ოხოჯის ხეობაში. ზ. ღ. 170 *მ*, გალიდან 25 *კმ*. ბედიის მეციტრუსეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ბედიაში (2 *კმ*). ბ-კა.

სახელი, იხ. სტ. *ადმინისტრაციული სახელი, დისციპლინური სახელი.*

სახე ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, ობიექტის ასახვის შედეგი და იდეალური ფორმა ადამიანის ცნობიერებაში. ეს ასახვა პირობადებულია საზ.-ისტ. პრაქტიკით. ობიექტი (ორიგინალი) პირველადია ს. — მეორეული. მ. შ. მსგავსებაა და არა იგივეობა. ორიგინალი შინაარსით ს-ზე მდიდარია. ამიტომ ს. მხოლოდ დაახლ. ზუსტად ასახავს ორიგინალს. შემეცნების პროცესში ს. არის საგნის სუბიექტური ასახვა. ს. იდეალური ფორმით არსებობს ადამიანის ცნობიერებაში. გრძნობადი შემეცნების დროს ს. არის შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა, ხოლო აბსტრაქტული შემეცნების დროს — ცნება, მსჯელობა და დასკვნა. ს. არ არსებობს დამოუკიდებლად, მას ქმნის სუბიექტი, რათა მისი მეშვეობით ასახოს საგანი. ს-ის ხორცშესხმის მატერ. ფორმაა ადამიანის ან ცხოველის მოქმედება, მეტყველება, ნიშანთა სისტემა. წარმოქმნის შემდეგ ს. იძენს შეფარდებითს დამოუკიდებლობას და ასრულებს აქტ. როლს ადამიანის მოქმედების რეგულირებასა და ფუნქციონირებაში. ს-ის სპეციფ. ფორმაა *მხატვრული სახე*. *ე. ერქომაიშვილი.*


სახე, იხ. *ასპექტი* გრამატიკაში.

სახევი, სოფელი თიანეთის რ-ნში (არტანის სოფსაბჭო), მდ. იორის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1140 *მ*, თიანეთიდან 11 *კმ* ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა ახალსოფელში (8 *კმ*).


სახეთა გამოსახვა, პროცესი, რ-ის დროსაც მიმდინარეობს ობიექტის მახასიათებელი ნიშნებიდან არსებითი ნიშნების გამოყოფა და მათ საფუძველზე მისი ობიექტების გარკვეული კლასისადმი მიკუთვნება. ს. გ-ის ამოცანებს მიეკუთვნება გამოცნობა მხედველობითი სიგნალებისა — ხელნაწერი ან ნაბეჭდი ასოებისა და ციფრებისა, რეალური ობიექტების ფოტოგრაფიების ან სამგანზომილებიანი გამოსახულებებისა (ე. წ. გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ვ რ ც ი ს ა) და ა. შ., ბგერითი სიგნალების, სამედ. და ტექ. დიაგნოსტიკის ამოცანები. ს. გ-ის თეორია *კიბერნეტიკის* ერთ-ერთი დარგია, რ-იც უშუალო კავშირშია რობოტების შექმნისა და *გადაწყვეტილების მიღების* საკითხებთან. დღესდღეობით დამუშავებულია ს. გ-ის მრავალი მეთოდი. მ. შ. აღსანიშნავია: სტატისტ. მეთოდი, ლინგვისტური მეთოდი, გამყოფი სიბრტყეების მეთოდი, ბაიესის გადაწყვეტის წესის დადგენის მეთოდი და სხვ. ს. გ-ის პრობლემების გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული ცოცხალი ორგანიზმის სმენითი და მხედველობითი ფუნქციების შესწავლაზე. ს. გ-ის ამა თუ იმ მეთოდის რეალიზაცია ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობის მეშვეობით. ამჟამად შექმნილი ს. გ-ის სისტემებიდან აღსანიშნავია: წამკითხავი ავტომატები, რ-თა მეშვეობით შესაძლებელია ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში ალფაბეტურ-ციფრული ინფორმაციის შეტანა, ელექტროენცეფალოგრამებისა და კარდიოგრამების დამუშავების სისტემები, რ-ებიც ობიექტური დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევიან. სრულყოფილი ს. გ-ის სისტემების შექმნა ხელს შეუწყობს სამეცნ.-ტექ. პროგრესის შემდგომ განვითარებას.

ლიტ.: Ту Дж., Гонсалес Р., **Принципы распознавания образов**, пер. с англ., М., 1978. *ე. ჯუღელი.*

სახელდება, ნომინაცია (ლათ. nominatio) ენათმეცნიერებაში, სიტყვის ბგერითი მხარისა (ნომინანტი) და მნიშვნელობის (სიგნიფიკატი) ურთიერთდაკავშირება. პირველადი ს-ის ნომინანტი სიგნიფიკატს უშუალოდ უკავშირდება, მეორეული კი — უკვე არსებული ლექსიკის საშუალებით. ნომინანტისა და სიგნიფიკატის კავშირის რაობა სიტყვის (ენობრივი ერთეულის) ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს. ექსპერიმენტულად



სახარატო ჩარხი. ავტომატური ციკლით მომუშავე უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი (მოდელი 1გ62ა).



სახარატო ჩარხი. ერთდგარიანი სახარატო-კარუსელური ჩარხი რიცხვულ-პროგრამული მართვით (მოდელი 1512ფ2).

დადგენილია: 1. ნომინანტისა და სიგნიფიკატის დაკავშირება ურთიერთშესატყვისობის საფუძველზე ხორციელდება, სახელმდებელი არჩევანში თავისუფალი არ არის; 2. ს-ის პროცესში ადგილი აქვს ნომინანტისა და სიგნიფიკატის ურთიერთზემოქმედებას (სიგნიფიკატი სინამდვილის მოვლენათა განზოგადებულ ასახვას წარმოადგენს, მაგრამ იგი გარკვეული ხარისხით მაინც არის განსაზღვრული ნომინანტის სპეციფიკით. თვით ნომინანტიც, რ-იც წარმოადგენს სტრუქტურულ მთლიანობას და არა შემადგენელი ბგერების ჯამს, გარკვეული ხარისხით სიგნიფიკატის სპეციფიკით არის განპირობებული); 3. ენის განვითარების პროცესში როგორც ნომინანტი, ისე სიგნიფიკატი მნიშვნელოვან ცვლილებებს ექვემდებარება, მაგრამ მათ შორის შესატყვისობა მაინც რჩება; 4. სიტყვის ამ ორი მხარის ურთიერთშესატყვისობის ხარისხი ბუნებრივ ენებში სხვადასხვაგვარია. ნომინანტისა და სიგნიფიკატის ურთიერთშესატყვისობა ენის ფუნქციონირების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ლიტ.: ბაინდურაშვილი ა., სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბ., 1971; უზნაძე დ., სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, შრომები, ტ. 1, თბ., 1956. *ა. ბაინდურაშვილი.*

სახელდებული რიცხვი, რიცხვი, რ-საც თან ერთვის საზომი ერთეულის სახელწოდება (მაგ., 1 *მ*, 7 *წმ* და ა. შ.); უპირისპირდება განყენებულ რიცხვს (მაგ., 1;7). ს. რ-ს ეწოდება მარტივი, თუ მასში შედის მხოლოდ ერთი საზომი ერთეული (მაგ., 777 *სმ*), ხოლო რთული, თუ მასში შედის რამდენიმე საზომი ერთეული (მაგ., 7 *მ* 77 *სმ*).

სახელზმნა, სიტყვა, რ-საც აქვს როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშნები. ს. ბრუნვიანი სიტყვაა და წინადადებაში გამოიყენება როგორც სახელი (შეიძლება იყოს სუბიექტი, ობიექტი, მეორეხარისხოვანი წევრი), ზმნასთან კი აერთიანებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება, გამოყენება III სერიის ფორმათათვის და წარმოქმნის ზოგი კატეგორია (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი და სხვ.). ზოგ შემთხვევაში იგი ინარჩუნებს სახელის ზმნური შეწყობის უნარსაც (ხანჯლით დაჭრის — ხანჯლით დაჭრა).

ტერმინი „ს.“ ანტონ I-მა შემოიღო და აღნიშნავს „ქმნის ან ვნების“ გამომხატველ სიტყვას (წერა, კეთება...), რ-იც სახელის ნიშნებსაც ატარებს და ზმნისასაც (იმას, რაც დღეს *საწყისით, მასდარით* აღინიშნება). შემდგომ გრამატიკოსთა ერთი ნაწილი (ს. *დოდაშვილი*, თ. *ჟორდანია* და სხვ.) ს-ს არსებით სახელებში ათავსებდა, მეორე (დ. ყიფიანი და სხვ.) — ზმნის სისტემას მიაკუთვნებდა. ა. შანიძემ გააფართოვა ტერმინის ხმარების არე და იგი მიმღეობაზეც გავრცელა, ნაზმნარი არსებითი სახელი კი აღნიშნა ტერმინით *საწყისი;* დღეისათვის ს. მოიცავს საწყისსაც და მიმღეობასაც. *დ. ჩხუბიანიშვილი.*

სახელი გრამატიკაში, 1. არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი ს-ების საერთო სახელწოდება; უპირისპირდება ზმნას როგორც ბრუნებადი სიტყვა (რაკი ნაცვალსახელები ბრუნებისას რიგ თავისებურებებს ავლენენ, სახელებში მათ არ გულისხმობენ). ს. შეიძლება იყოს პირველადი, როდესაც მარტივი ფუძე ისევ სახელია, ან მეორადი, როდესაც ს-ის ამოსავალი ფუძე სხვა მეტყველების ნაწილია. ამათგან უმნიშვნელოვანესია ნაზმნარი ს-ები: მოქმედების ს. (nomen actionis), მაგ., კეთება, ჭრა..., მოქმედის ს. (nomen agentis), მაგ., მჭრელი..., იარაღის ს. (nomen instrumentis), მაგ., საცერი და სხვ. ნაზმნარი ს-გან განსხვავდება ზმნათა საწყისი ფორმები, რ-ებიც ზმნის მთელ რიგ მორფოლ. და სინტაქსურ თავისებურებებს ინარჩუნებენ (მიმღეობა, საწყისი და სხვ.). 2. იგივეა, რაც *არსებითი სახელი* ბ. *ფოჩხუა.*

სახელმძღვანელო, წიგნი, რ-შიც მოცემულია რომელიმე დარგში სისტემატური ცოდნის საფუძვლები მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დონეზე სწავლების შინაარსისა და დიდაქტიკური ამოცანების შესაბამისად; სასწ.-ლიტ-რის ძირითადი და წამყვანი სახეობა სწავლების ყველა საფეხურისა და სხვადასხვა სახის სასწ. დაწესებულებისათვის; თვითგანათლებისათვის, აგრეთვე იქმნება სპეც. ს-ები. საქართველოში ორიგინ. თუ ნათარგმნ ს-ებს დიდი ხნის ისტორია აქვს. სრულყოფილი ს-ს ნიმუშებია ი. გოგებაშვილის „*დედა ენა*“და „*ბუნების კარი*“. თანამედროვე საბჭ. სკოლისათვის (მისი ყველა საფეხურისათვის) იქმნება ს-ები, რ-ებიც მოწოდებულია განათლების დონე შეუსაბამოს კომუნისტური მშენებლობის ახ. ამოცანებს, სამეცნ.-ტექ. პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს.

სახელმძღვანელო ნამარხები, სახელმძღვანელო ფორმები, გარკვეული გეოლოგიური ასაკის დანალექი წყებებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ცოცხალი ორგანიზმების განამარხებული ნაშთები. ს. ნ-ს ახასიათებს გავრცელების ფართო გეოგრ. არეალი და მცირე ვერტ. (შრიდან შრეში) დიაპაზონი, რადგან ეს ორგანიზმები როგორც ბიოლ. სახეობა, არსებობდა გეოლ. დროის მცირე მონაკვეთის განმავლობაში. ს. ნ-ით შესაძლებელია სხვადასხვა რეგიონის ნალექების კორელაცია. დანალექი წყებების *სტრატიგრაფიის* დადგენის თანამედროვე *პალეონტოლოგიურ მეთოდს* საფუძვლად უდევს არა ს. ნ-ის ცალკეული ფორმების შესწავლა, არამედ — შრეში დაცულ განამარხებულ ორგანიზმთა მთელი კომპლექსისა.

სახელმწიფო, განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაცია ეკონომიკურად გაბატონებული კლასისა (სოციალ. საზ-ბაში — ყველა მშრომელისა, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით) მთელი ქვეყნის ფარგლებში უმაღლესი ძალაუფლების განსახორციელებლად. „... სახელმწიფო დასაბამიდანვე როდი არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომელთაც სახელმწიფოზე და სახელმწიფო ხელისუფლებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლობად იქცა“ (ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978, გვ. 178). ს-ს წარმოშობა განაპირობა არა მარტო კერძო საკუთრების გაჩენის შედეგად საზ-ბის კლასებად დაყოფამ, არამედ ამ კლასებს შორის ანტაგონიზმმაც: „სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება. სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შეუძლებელია“ (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25, გვ. 472). ს-ს ბუნებისა და მისი როგორც პოლიტ. ბატონობის იარაღის დანიშნულებიდან გამომდინარე, ფ. ენგელსი მიუთითებს ორ ძირითად ნიშანზე, რ-იც განასხვავებს მას წინაკლასობრივი, პირველყოფილ-თემური საზ-ბის ორგანიზაციისგან: ქვეშევრდომთა დაყოფა ტერიტ. პრინციპის მიხედვით (განსხვავებით გვაროვნ. ორგანიზაციისაგან, რ-ის დროსაც მოსახლ. დანაწილებულია სისხლით ნათესაური პრინციპით) და საჯარო ხელისუფლება ანუ იძულების სპეც. აპარატი (განსხვავებით იმ საზ. ხელისუფლებისაგან, რ-იც პირველყოფილ-თემურ წესწყობილებაში არსებობდა). ამ საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ს-ს აქვს იძულების უნარი, შეუძლია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების შესრულება ყველა ქვეშევრდომის (მოქალაქის) მიერ. ეს მოთხოვნები, რ-ებიც გაბატონებული კლასის ნების შესაბამისად ყალიბდება, უმთავრესად სამართ. ნორმებშია ფორმულირებული; ს. ეკონ. ბაზისის ზედნაშენია, უმნიშვნელოვანესი პოლიტ. დაწესებულებაა, რ-იც გაბატონებული კლასის პოლიტ. შეხედულებებს შეესაბამება. კლასობრივი საზ.-ეკონ. წესწყობილებისა და საზ-ბის კლასობრივი შემადგენლობის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ს-ს 4 ისტ. ტიპს: მონათმფლობელურ, ფეოდ., კაპიტალ. და სოციალ. ს-ს. მათგან პირველი სამი ექსპლუატატორული ტიპის ს-ა, მეოთხე კი — არაექსპლუატატორული ტიპისა. გარდა ისტ. ტიპებისა, ს-თა კლასიფიკაცია ხდება ს-ს ფორმის მიხედვითაც. ს-ს ფორმის ცნება გამოხატავს გაბატონებული კლასის მიერ თავისი დიქტატურის განხორციელებისათვის დადგენილ სახელმწ. ორგანოების სტრუქტურასა და ორგანიზაციას, რაც გამოხატულებას პოულობს *მმართველობის ფორმაში* და სახელმწ. წყობილების ფორმაში; სახელმწ. წყობილების ფორმაში იგულისხმება ს-ს შინაგანი აგებულების ტერიტ.-ორგანიზაციული თავისებურებანი. ის ურთიერთობა, რ-იც არსებობს ს-ს როგორც მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. სახელმწ. წყობილების ფორმის მიხედვით ქვეყნებს ძირითადად ყოფენ უნიტარულ ანუ მარტივ და ფედერ. ანუ რთულ ს-ებად. ს-ს ფორმის ცნებასთან დაკავშირებულია აგრეთვე პოლიტ. რეჟიმის ცნება, რ-შიც იგულისხმება მმართველი კლასების მიერ თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად და დიქტატურის განსახორციელებლად გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების შედეგად დამყარებული წესრიგი, რაც ასახავს ს-ს დემოკრატიულობისა თუ ანტიდემოკრატიულობის ხარისხს.

ს-ს ამოცანების განხორციელება ხდება მისი საქმიანობის პროცესში. ამ საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, უმნიშვნელოვანეს სახეებსა და მხარეებს ს-ს ფუნქციებს უწოდებენ. ს-ს საქმიანობა ქვეყანაში პოლიტ., სამეურნეო და იდეოლოგიური ხასიათის საკითხების გადასაწყვეტად საშინაო ფუნქციებშია გამოხატული, ხოლო ს-ს საქმიანობას სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებასა და მათთან ურთიერთობაში საგარეო ფუნქციები გამოხატავს. თავისი ფუნქციების განხორციელებისა და სოც. დანიშნულების შესრულებისათვის ს. მოწყობილია როგორც მეტად რთული ორგანიზაცია. სხვადასხვა სახის ორგანოებისა და დაწესებულებების სისტემა, რ-ის მეშვეობითაც ს. ახორციელებს თავის საშინაო და საგარეო ფუნქციებს, შეადგენს მის მექანიზმს ანუ სახელმწ. აპარატს.

ექსპლუატატორული ს-სა და საერთოდ ს-ს პირველ ისტ. ტიპს წარმოადგენდა მონათმფლობელური ს. პირველი მონათმფლობელური ს-ები შეიქმნა ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში: ეგვიპტესა და ბაბილონში (დაახლ. ძვ. წ. 4 ათ. წლის წინათ), ასურეთსა და ინდოეთში (დაახლ. ძვ. წ. 3 ათ. წლის წინათ), ჩინეთში (დაახლ. ძვ. წ. 2 ათ. წლის წინათ), ხოლო შემდეგ — ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში — საბერძნეთსა და რომში (ძვ. წ. VII—VI სს-ში), ჩვენი ქვეყნის ფარგლებში კი — ამიერკავკ. მიწა-წყალზე ძვ. წ. IX ს-ში (ურარტუს ს.). მონათმფლობელური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციებიდან მთავარი იყო საშინაო ფუნქცია — მოსახლ. უდიდესი უმრავლესობის— მონების დათრგუნვა, საგარეო ფუნქცია კი გულისხმობდა საკუთარი ქვეყნის თავდაცვას სხვა ს-ების თავდასხმისაგან და სხვა ქვეყნების დაპყრობასა და ხელში ჩაგდებას. მონათმფლობელური ს-ს აპარატის საქმიანობაც ამ ფუნქციების განხორციელებისაკენ იყო მიმართული. მონათმფლობელური ს-ს უძველეს და ყველაზე გავრცელებულ

ფორმას წარმოადგენდა *მონარქია* (მაგ., ძვ. აღმოსავლეთის *დესპოტიები*). გარდა ამისა, არსებობდა ე. წ. არისტოკრ. რესპუბლიკა (მაგ., რომში) და დემოკრ. რესპუბლიკა (მაგ., ათენში).

ფეოდალური ს. წარმოადგენდა ექსპლუატატორული ს-ს მეორე ისტ. ტიპს, თუმცა ზოგიერთ ხალხში (მაგ., გერმანელებსა და აღმ. სლავებში) იგი წარმოიშვა უშუალოდ პირველყოფილი-თემური წესწყობილების რღვევის შედეგად. მის მთავარ საშინაო ფუნქციას შეადგენდა ფეოდალთა კლასის მიერ ყმა-გლეხობის ექსპლუატაციისა და ჩაგვრის უზრუნველყოფა, ხოლო საგარეო ფუნქციის მეშვეობით გაბატონებული ფეოდ. კლასი ცდილობდა დაეცვა თავისი ს. გარეშე თავდასხმისაგან და თვითონ დაეპყრო სხვა ქვეყნების ტერიტორიები, ხელში ჩაეგდო მათი მოსახლეობა. ასეთი ს-ს მექანიზმიც თავისი ფუნქციების განხორციელებას ემსახურებოდა. ფორმის მიხედვით ფეოდ. ს-ები, როგორც წესი, მონარქიებს წარმოადგენდნენ (მაგ., დეცენტრალიზებული, წოდებრივ-წარმომადგენლობითი და აბსოლ. მონარქიები). იშვიათ შემთხვევაში არსებობდა ფეოდ. რესპუბლიკებიც, რ-ებიც იქმნებოდნენ რუსეთისა და დას. ევრ. დიდ ქ-ებში (მაგ., ნოვგოროდი — რუსეთში, ვენეცია და ფლორენცია — იტალიაში და სხვ.).

ბურჟუაზიული ანუ კაპიტალისტური ს. — ექსპლუატატორული ს-ს უკანასკნელი ისტ. ტიპი — შეიქმნა ბურჟ. რევოლუციების შედეგად პირველად ევრ. ქვეყნებში. მისი მთავარი ამოცანა და ძირითადი საშინაო ფუნქციაა მორჩილებაში იყოლიოს მოსახლ. უმრავლესობა — მუშათა კლასი და სხვა მშრომელები, დათრგუნოს მათი წინააღმდეგობა და შეინარჩუნოს ბურჟ. ბატონობა. მაგრამ მონათმფლობელებისა და ფეოდალებისაგან განსხვავებით ბურჟუაზია ცდილობს შენიღბოს თავისი ს-ს ექსპლუატატორული ბუნება და ნამდვილი დანიშნულება.

იმპერიალიზმის ეპოქაში მსხვილ მონოპოლიებთან სახელმწ. აპარატის შერწყმის პირობებში ს. ხშირად გამოდის როგორც „კოლექტიური კაპიტალისტი" და „კოლექტიური ბანკირი", რ-საც ეკუთვნის სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულება. სახელმწ. საკუთრების ობიექტებად იქცევიან უმთავრესად სამხ. მრეწვ. საწარმოები, კავშირგაბმ. საშუალებანი და სხვ. მაგრამ, ცხადია, იმპერიალ. ს-ს მიერ „ეკონომიკის რეგულირების" ნიღბით მონოპოლიები ს-ს თავისი მიზნების შესაბამისად იყენებენ. ბურჟ. ს-ს იდეოლოგიური ფუნქციაც საბოლოო ანგარიშში მშრომელთა დათრგუნვის ამოცანებს ემსახურება. კაპიტალისტების ინტერესებს გამოხატავს აგრეთვე მათი ს-ს საგარეო ფუნქცია. ისინი ცდილობენ გაძარცვონ და დაიმორჩილონ სხვა ქვეყნების მოსახლეობაც. ხელში ჩაიგდონ სხვისი ტერიტორიები და ამ მიზნით აჩაღებენ ომებს. საშინაო და საგარეო ფუნქციების განსახორციელებლად ბურჟ. ს-ს რთული და მეტად განშტოებული მექანიზმი აქვს. იგი შედგება წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მთავრობისაგან, ადმ. აპარატისა და სასამართლოსაგან, პოლიციისა და ჟანდარმერიისაგან, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოებისაგან, აგრეთვე არმიისაგან, რ-ის დანიშნულებაა არა მარტო მთავარი როლის შესრულება საგარეო ფუნქციის განხორციელებაში, არამედ ქვეყანაში გაბატონებული კაპიტალისტთა კლასის მთავარი ამოცანის—მუშათა კლასისა და სხვა ექსპლუატირებული მასების დათრგუნვის უზრუნველყოფა. ბურჟ. ბატონობის ყველაზე ტიპობრივი ს-ს მართვა-გამგეობის გავრცელებული ფორმაა ე. წ. ბურჟ.-დემოკრ. რესპუბლიკა. მისთვის დამახასიათებელია არჩევითი *პარლამენტი*. პარლამენტს გარდა მთელ რიგ ბურჟ. რესპუბლიკებში არსებობს ს-ს ერთპიროვნული მეთაური — *პრეზიდენტი* (იხ. სტ. *რესპუბლიკა*). კაპიტალ. ს-ს ერთ-ერთი ფორმაა ავრეთვე კონსტ. *მონარქია*, ბურჟ. ს-ს აქვს აგრეთვე სახელმწ. წყობილების განსხვავებული ფორმები: უმრავლესობა წარმოადგენს უნიტარულ ანუ მარტივ ს-ს (ინგლისი, საფრანგეთი, თურქეთი, ირანი და სხვ.). არსებობს აგრეთვე ფედერ. ანუ რთული ს-ები (აშშ, ბრაზილია, შვეიცარია, გფრ, ინდოეთი, პაკისტანი, ავსტრალია, ტანზანია და სხვ.).

სოციალისტური ს. არის სრულიად ახ. და უმაღლესი ტიპის ს., რ-იც წარმოიშვა სოციალ. რევ. პროცესში მუშათა კლასის მიერ ბურჟ. ბატონობის დამხობისა და თავისი ძალაუფლების — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად. ჩვენს ქვეყანაში საბჭ. ს-ს განვითარებამ ნათლად დაადასტურა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის სოციალ. ს-ს შინაარსს შეადგენს. მაგრამ მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილ იქნა სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის მისიაც შესრულებულად ითვლება და პროლეტარიატის ს. გადაიქცა საერთო-სახ. ს-დ. საბჭ. საერთო-სახ. ს-ში გამოხატულია საყოველთაო სოციალ. დემოკრატიზმის პრინციპები. საბჭ. საერთო-სახ. ს-ს ისტ. მისიას შეადგენს მძლავრი და მთავარი ორგანული როლის შესრულება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებაში. ამ ძირითადი მიზნის განსახორციელებლად, როგორც სსრკ 1977 კონსტიტუციაშია მითითებული, იგი მოწოდებულია შექმნას კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზა, სრულყოს სოციალ. საზ. ურთიერთობანი და გარდაქმნას ისინი კომუნისტურ ურთიერთობებად, აამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერ. და კულტ. დონე, უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროება, ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშ. თანამშრომლობის განვითარებას. სწორედ ამ ამოცანებიდან გამომდინარეობს საბჭ. სოციალ. ს-ს ძირითადი საშინაო (სამეურნეო და ორგანიზატორული, კულტ.-აღმზრდელობითი, სოციალ. საკუთრების დაცვის, შრომის ოდენობასა და მოხმარების ოდენობაზე კონტროლის განხორციელების, სოციალ. მართლწესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის) და საგარეო (ქვეყნის თავდაცვის, მშვიდობისათვის ბრძოლის, სხვა სოციალ. ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების) ფუნქციები.

ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის დიქტატურის, ხოლო შემდეგ კი საერთო-სახ. სოციალ. დემოკრატიის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენს საბჭოების რესპუბლიკა. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ოქტ. რევოლუციამდე და შემდეგაც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები საბჭოების როგორც სახელმწ. ხელისუფლების ახ. ტიპის შესახებ (იხ. *სახალხო დეპუტატების საბჭოები*). მუშათა კლასის დიქტატურის, სოციალ. ს-ს ერთ-ერთი ფორმაა სახ.-დემოკრ. რესპუბლიკა. იგი II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ჩამოყალიბდა ევრ. და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. სახელმწ. წყობილების ფორმის მიხედვით საბჭ. სოციალ. ს. ფედერაციაა, რ-ის მეშვეობითაც ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში მოწესრიგებულია ეროვნ. საკითხი, დამყარებულია ერებს შორის ძმური თანამშრომლობა. სოციალ. ფედერ. ს-ებია აგრეთვე ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია.

საბჭ. სახელმწ. წყობილების ფედერ. ფორმამ და მრავალეროვანი სოციალ. ქვეყნის თავისებურებებმა განაპირობეს სსრკ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა და მუშაობის ხასიათი, რ-ითაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლობა ამ ორგანოებში, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონ. ერთეულების ინტერესების დაცვა და გათვალისწინება. პირველ ყოველისა, ეს შეეხება სსრკ უმაღლეს საბჭოს, რ-ის ერთ-ერთი პალატა — ეროვნებათა საბჭო — სწორედ ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან შემადგენლობას ასახავს. იმისათვის, რომ საბჭ. სახელმწიფომ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგარი ამოცანები, მას აქვს სხვადასხვა სახის ორგანოთა მთელი სისტემა, რ-თა ერთიანობა შეადგენს ს-ს მექანიზმს ანუ სახელმწ. აპარატს. სსრკ კონსტ. მიხედვით, საბჭ. ს-ს ორგანოები შემდეგ სახეებად იყოფა: სახელმწ. ხელისუფლების ორგანოები, სახელმწ. მმართველობის ორგანოები, სასამართლოს, არბიტრაჟისა და პროკურატურის ორგანოები; ამავე დროს, თავიანთი საქმიანობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უმაღლესი და ადგილ. ორგანოები. სოციალ. ს-ს მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია საბჭ. არმია — ქვეყნის შეიარაღებული ძალები, რ-იც თავდაცვის ფუნქციას ასრულებს. ამავე ფუნქციის შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწ. უშიშროების ორგანოები, რ-თა დანიშნულებაა იმპერიალ. ს-ების აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი უფნებელყოფა.

საბჭ. სახელმწ. აპარატის მთელი სახელმწ. მექანიზმის მეშვეობით ს-ს ფუნქციების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული *დემოკრატიული ცენტრალიზმისა* და *კანონიერების* პრინციპების საფუძველზე აგებულ სახელმწ. აპარატის სწორ ორგანიზაციაზე, მისი მუშაობის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე. ამ მექანიზმის, ისევე როგორც მთელი საბჭ. სზ-ბის ხელმძღვ. და წამყვან ძალას წარმოადგენს კომუნისტური პარტია — ეს უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო პრინციპია (სსრკ კონსტ., მ. 6).

სოციალ. ს-ს როგორც ს-ს უკანასკნელი ისტ. ტიპის ბედის საკითხზე პასუხი გასცა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიამ: სოციალ. ს-ს კვდომის პროცესი გულისხმობს სოციალ. სახელმწიფოებრიობის ყოველმხრივ განვითარებას და განმტკიცებას, ხოლო კომუნისტური სზ-ბის აშენების შემდეგ — მის გადაზრდას კომუნისტურ სზ. თვითმმართველობად.

ლიტ.: Марксистско-ленинская общая теория государства и права. Основные институты и понятия, М., 1970.

გ. ინწკირველი.

სახელმწიფო ავტოინსპექცია, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო, რ-საც ევალება სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტურობის გაზრდა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ს. ა-ის სამსახური არსებობს მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებში, შინაგან საქმეთა სამხარეო და საოლქო სამმართველოებში, საქალაქო და სარაიონო განყ-ბებში. ს. ა. შეიქმნა 1936. მისი მოვალეობაა: მოძრაობის წესების დაცვის ზედამხედველობა, სატრანსპ. საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლი, სატრანსპ. საშუალებათა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის რეგულირება, მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელ და მოძრაობის უსაფრთხოების ასამაღლებელ ღონისძიებათა კორექტირება, ავტომოტოპარკის რეგისტრაცია და აღრიცხვა, გამოცდის მიღება და მძღოლის მოწმობის გაცემა, ავტომობილებისა და მოტოციკლების ყოველწლიური ტექ. დათვალიერება, ექსპლუატაციაში მყოფ სატრანსპ. საშუალებათა წესივრულობის კონტროლი, საგზაო-სატრანსპ. შემთხვევების გამოკვლევა, გაანალიზება, აღრიცხვა.

სახელმწიფო აპარატი, სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რ-ის ყველა რგოლი სარგებლობს სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით. საბჭ. ს. ა-ის საფუძველია სახ. წარმომადგენლობის ორგანოები — *სახალხო დეპუტატების საბჭოები*. ყველა სხვა სახელმწ. ორგანო ექ-

ვემდებარება სახ. დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. სსრკ კონსტ. 93-ე მუხლის თანახმად, სახ. დეპუტატთა საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწ., სამეურნეო და სოც.-კულტ. მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ს. ა-ის შემადგენლობაში შედის აგრეთვე სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები. სასამართლოები ჩვენს ქვეყანაში არჩევითი ორგანოებია, სახ. სასამართლოებს ირჩევენ უშუალოდ მშრომელები, ყველა სხვა რგოლს კი — შესაბამისი სახ. დეპუტატების საბჭოები. სსრკ კონსტ. 151-ე მუხლის თანახმად, სსრკ-ში მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. *პროკურატურის* ორგანოებს დაკისრებული აქვთ ყველა სამინისტროს, სახელმწ. კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახ. დეპუტატთა ადგილ. საბჭოების აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოების, კოლ-ბების, კოოპ. და სხვა საზ. ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობა. ს. ა-ის ცნებაში ვიწრო გაგებით შედის სახელმწ. მმართველობის აპარატი — სამინისტროები, სახელმწ. კომიტეტები, მთავარი სამმართველოები, სამმართველოები და სხვ. ზოგჯერ სახელმწ. მმართველობის აპარატისა და ს. ა-ის ცნებები გაერთიანებულია სახელმწ. მექანიზმის ცნებაში, რ-იც გულისხმობს სხვადასხვა ორგანოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სისტემას. ამ გაგებით სახელმწ. მექანიზმი საზ-ბის პოლიტ. სისტემას უახლოვდება. ს. ა-ის სწორ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტ. ცხოვრების წარმატებები, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება. ამიტომ სკკპ უდიდეს ყურადღებას აქცევს ს. ა-ის განმტკიცებას და სრულყოფას. ს. ა-ში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი საშუალებებია კრიტიკა და თვითკრიტიკა, კონტროლი და შესრულების შემოწმება, საწარმოო თათბირები და ანგარიშგებები და სხვ. ს. ა-ის სრულყოფის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების შერჩევის ლენინური პრინციპების განუხრელ დაცვას, ს. ა-ის კადრების კვალიფიკაციისა და მომზადების დონის ამაღლებაზე ზრუნვას. *ე. ლორია.*

სახელმწიფო არბიტრაჟი, იხ. სტ. *არბიტრაჟი* სსრ კავშირში.

სახელმწიფო ბანკი (სახბანკი) სსრ კავშირისა, ქვეყნის საემისიო ბანკი, საკრედიტო, საანგარიშსწორებო და საკასო ცენტრი 1923 წ. 6 ივლ-იდან ყოფილი რსფსრ სახბანკი, რ-იც დაარსდა 1921 წ. 11 ოქტომბერს. ს. ბ. უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტ. ამოცანების გადაწყვეტაში.

მისი ძირითადი ფუნქციებია: საემისიო ოპერაციების წარმოება და ფულის მიმოქცევის რეგულირება ქვეყანაში; სახ. მეურნ. მოკლევადიანი დაკრედიტება; დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და ფულადი დაგროვების აკუმულაცია; სოფ. მეურნ., დამამზადებელი და ზოგიერთი სხვა საწარმოსა და ორგანიზაციის, სამომხმარებლო კოოპერაციის, სატყეო და წყლის მეურნ., აგრეთვე სოფ. მოსახლ. კაპიტალ. დაბანდებების დაფინანსება და გრძელვადიანი დაკრედიტება; საშემხახველო საქმის ორგანიზაცია; ანგარიშსწორებათა განხორციელება სახ. მეურნეობაში; საკასო მომსახურების ოპერაციების ჩატარება; სახელმწ. ბიუჯეტის საკასო შესრულება; საერთაშ., საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციებისა და ძვირფას ლითონებისა და უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება.

ბანკის უფლებები განისაზღვრება მისი წესდებით, რ-საც ამტკიცებს სსრკ მინისტრთა საბჭო. ს. ბ-ის გამგეობის თავრეს ნიშნავს სსრკ უმაღლესი საბჭო.

სსრკ-ის ს. ბ. მსოფლიოს უმსხვილესი ბანკია. მის განკარგულებაშია 4469 დაწესებულება, აქედან ს. ბ-ის საქართვ. რესპ. კანტორის გამგებლობაშია 86 დაწესებულება. ისინი საქ. სსრ-ში ემსახურებიან 61685 სამრეწვ. საწარმოს, გაერთიანებას, საბჭ., მეურნეობას, კოლ-ბას, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებსა და ინდივიდ. მსესხებლებს. მის კლიენტებს 1985 წ. 1 იან-თვის გახსნილი ჰქონდათ 146183 საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სასესხო ანგარიშები. ამავე დროისათვის მოკლევადიანი სესხების ნაშთი შეადგენდა 7321,4 მლნ. მანეთს. 1984 გაიცა 104,7 მლნ. მანეთის გრძელვადიანი სესხი. 1367 შემნახველ სალაროსა და სააგენტოში გახსნილი იყო 2372,6 ათ. მეანაბრის ანგარიში (საერთო თანხა 1985 წ. 1 იანვრისათვის შეადგენდა 4330,0 მლნ. ათ. მანეთს).

ნ. ბერძენაძე.

სახელმწიფო ბაჟი, იხ. *ბაჟი.*

სახელმწიფო ბიუჯეტი, იხ. *ბიუჯეტი სახელმწიფო.*

სახელმწიფო ბრალმდებელი, იხ. სტ. *ბრალმდებელი.*

სახელმწიფო გერბი, სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემა, მისი განმასხვავებელი ნიშანი. გამოსახულია სახელმწ. ორგანოთა ბეჭდებსა და ბლანკებზე, მონეტებზე, მთავრობათა შენობებზე და სხვ. ს. გ-ის ნახატსა და მის აღწერილობას ადგენს კონსტიტუცია ან სპეც. კანონი. სახელმწ. წესწყობილების შეცვლის შემდეგ, როგორც წესი, ს. გ-ს შეცვლიან ან ახალს შემოიღებენ.

სსრკ ს. გ-ზე, რ-იც გათვალისწინებული და აღწერილია სსრკ კონსტ. 169-ე მუხლში, გამოსახულია ნამგალი და ურო მზის სხივებით გაცისკროვნებული დედამიწის ფონზე, გარს შემოვლებულია თოთაევები და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე წერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გერბის ზედა ნაწილში ხუთქიმიანი ვარსკვლავია.

საქ. სსრ ს. გ. წარმოადგენს წრეს, რ-ის ზედა ნაწილში, წითელ ფონზე, გამოსახულია მნათი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გაშლილი სხივებით; ქვემოთ — დათოვლილი ცისფერი მთაგრეხილი, რ-ის შუაში აღმართულია თოვლიანი მწვერვალი; წრის ქვედა ნაწილში მარჯვნივ გამოსახულია ოქროს ვაზი ყურძნის მტევნით; მარცხნივ — ოქროს 3 თავთავი, თავთავებისა და ვაზის ბოლოები ერთმანეთთან დაგახლართულია წრის ქვედა კიდესთან; შუაგულის დიდი ნაწილი უჭირავს ოქროს ნამგლისა და უროს გამოსახულებას, რ-იც ზემოთ ებჯინება ვარსკვლავის გაშლილ სხივებს, ქვემოთ — მთაგრეხილის მწვერვალს, ხოლო გვერდებზე — თავთავებსა და ვაზს. ნამგლისა და უროს ქვეშ არის წარწერა „საქ. სსრ“; წრეს გარს შემოვლებული აქვს ქართ. ჩუქურთმებიანი არშია, რ-ის შიდა რკალზე, თეთრ ფონზე ორი მცირე ვარსკვლავით გამოყვნული წარწერაა ქართ. და რუს. ენებზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ავტონ. სსრ-ის ს. გ. ზოგიერთი დაზუსტებით წარმოადგენს იმ მოკავშირე რესპუბლიკის ს. გ-ს, რ-შიაც თვითონ შედის.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—VIII, გვ. 256—257.

სახელმწიფო გლეხები, ბატონყმური რუსეთის განსაკუთრებული წოდება, რ-იც შეიქმნა პეტრე I-ის ბრძანებულებით სოფლის დაუყმეებელი მოსახლეობისაგან. ს. გ. ცხოვრობდნენ სახაზინო მიწებზე და სარგებლობდნენ მიჩენილი ნაკვეთებით, ემორჩილებოდნენ სახელმწ. ორგანოების მმართველობას და პირადად თავისუფალნი იყვნენ. 1724 მონაცემებით ევრ. რუსეთსა და ციმბირში 1.049. 287 ს. გ. იყო, ე. ი. მთელი მიწათმოქმედი მოსახლ. 19%, ხოლო 1858 — 9.345. 342 ე. ი. ევრ. რუსეთის მიწათმოქმედი მოსახლ. 45,2%. ს. გ-ის ფენა გაიზარდა საეკლ. მიწების სეკულარიზაციისა და ახლად შემოერთებული ტერიტორიების (ბალტიისპირეთი, მარჯვენა ნაპირის უკრაინა, ბელორუსია, ყირიმი, ამიერკავკასია) ხარჯზე. ს. გ-ის ძირითადი მასა ხაზინას უბდიდა ფულად გადასახადს (სულზე 7 მან. 50 კაპიკიდან 10 მანეთამდე წელიწადში), გარდა ამისა, ისინი ვალდებული იყვნენ შეეტანათ ფული ადგილ. მმართველობის ხარჯების დასაფარავად.

1861 საგლეხო რეფორმის შემდეგ ს. გ-ის პირადი უფლებები და მათი „თვითმმართველობის“ ფორმა სასოფლო მმართველობის საერთო სისტემას დაუქვემდებარეს და ისინი „მესაკუთრე გლეხებად“ ცნეს, თუმცა ღალას ახდევინებდნენ. მიწაზე სრული საკუთრების უფლება მათ 1886 მიიღეს. ციმბირსა და ამიერკავკასიაში 1866 და 1886 კანონები ს. გ-ზე არ გავრცელებულა. მთავრობის ცდა, XX ს. დასასრ. როგორმე გაეუმჯობესებინა ამიერკავკასიაში ს. გ-ის მდგომარეობა, უშედეგო გამოდგა მცირე მიწიანობისა და ადგილ. ადმ. თვითნებობის გამო.

სახელმწიფო დანაშაული სსრკავშირში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რ-იც ხელყოფს საბჭ. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინტერესებს. ს. დ-თვის პასუხისმგებლობა დაწესებულია საერთოსაკავშირო კანონით (1958 წ. 25 დეკ.). ს. დ. 2 ჯგუფად იყოფა: განსაკუთრებით საშიში ს. დ. და სხვა სახის ს. დ. განსაკუთრებით საშიშ ს. დ-ად ითვლება ქმედობა, რ-იც მიმართულია საბჭ. საზ. და სახელმწ. წესწყობილების ძირის გამოთხრის ან შესუსტებისაკენ (მაგ., *სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, დივერსია, მავნებლობა* და სხვ.). განსაკუთრებით საშიშ ს. დ-თვის ნიშანდობლივია ანტისაბჭ. განზრახვა, რითაც იგი განსხვავდება სხვა დანაშაულისაგან. სხვა სახის ს. დ-თა ჯგუფში შედის დანაშაული, რ-იც ხელყოფს სსრკ-ის ისეთ პოლიტ., ეკონ., სამეურნეო ინტერესებს, როგორიცაა ეროვნ. და რასობრივი თანასწორუფლებიანობა, სსრკ თავდაცვისუნარიანობა და სახელმწ. საზღვრების ხელშეუხებლობა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ფულადი და საკრედიტო სისტემა, რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპ. ნორმალური საქმიანობა, საზ. უშიშროება (მაგ., სახელმწ. საიდუმლოების გახმაურება და სახელმწ. საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა, უკანონო წასვლა საზღვარგარეთ და უკანონო შემოსვლა სსრკ-ში, ფრენის საერთაშ. წესების დარღვევა, *კონტრაბანდა*, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება, *ბანდიტიზმი* და ა. შ.). ამ დანაშაულთა უმრავლესობა შეიძლება ჩადენილი იყოს მხოლოდ განზრახვით, მაგრამ განსაკუთრებით საშიშ ს. დ-გან განსხვავებით, არ ახასიათებს ანტისაბჭ. მიზანი. ზოგიერთი სხვა სახის ს. დ. შეიძლება ჩაიდინოს მოქალაქემ როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, ზოგიერთი კი — მხოლოდ გაუფრთხილებლობით (მაგ., სახელმწ. საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა). ს. დ-თვის პასუხისმგებლობა იწყება 16 წლის ასაკიდან ხოლო ისეთი მოქმედებისათვის, რამაც მატარებლის მარცხი გამოიწვია — 14 წლიდან. ს. დ-ის ჩადენისათვის დანაშაულის ხასიათისა და მიყენებული ზიანის სიმძიმის გათვალისწინებით სხვადასხვა სასჯელია დადგენილი. *მ. ლეკვეიშვილი.*

„სახელმწიფო და რევოლუცია“. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში“, ნაწარმოები, რ-შიც ვ. ი. ლენინმა განაყოთარა მარქსისტული თეორია სახელმწიფოს შესახებ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25). დასახული გეგმის თანახმად, „ს. და რ.“ შვიდი თავისაგან უნდა ყოფილიყო შედგენილი, მაგრამ უკანასკნელი, მე-7 თავი „რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილება“ ლენინს არ დაუწერია. დარჩენილია ამ თავის მხოლოდ დაწვრილებითი გეგმა. წიგნი დაიწერა მკაცრი იატაკქვეშეთის პირობებში (რაზლივში, ჰელსინგფორსში) 1917 აგვ.-სექტ., როცა ოქტ. რევ. მომზადებასთან დაკავშირებით საკითხმა სახელმწიფოსადმი პროლეტარიატის დამოუკიდებლობის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თეორ. და პრაქტიკულ-პოლიტ. თვალსაზრისით.

ნაშრომი პირველად 1918 მაისში გამოქვეყნდა პეტროგრადში. საბჭ. ხელისუფლების წლებში (1971 წ. 1 იანვ-თვის) გამოიცა 232-ჯერ, დაისტამბა 58 ენაზე, მ. შ. საბჭ. კავშირის ხალხთა 32 ენაზე, დაიბეჭდა 30 სახელმწიფოში, 26 უცხო ენაზე. ქართ. ენაზე პირველად 1918 გამოიცა „ს. და რ-ში“ გადმოცემული და განხილულია მარქსისა და ენგელსის ყველა ძირითადი დებულება და დასკვნები სახელმწიფოს შესახებ, განსაკუთრებით გამოკვეთილია პროლეტ. სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის დაცვა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების თავდასხმისაგან. ლენინმა განავითარა სახელმწიფოს მარქსისტული თეორია, განაზოგადა საერთაშ. მუშათა მოძრაობის, რუს. პროლეტარიატის გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებაში მთავარია მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე. „მარქსისტი მხოლოდ ის არის, — აღნიშნავდა ლენინი, — ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განავრცობს“ (იქვე, გვ. 506 — 507), ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა პროლეტარიატის სახელმწიფოს ძირეული განსხვავება ბურჟ. სახელმწიფოსაგან, რომ მუშათა კლასის სახელმწიფო არის ამ კლასის პოლიტ. ბატონობის იარაღი. დაახასიათა პროლეტარიატის დიქტატურის პროლეტ. სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების გზები და საშუალებები, დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა და პროლეტ. სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ესაა პროლეტარიატის ხელმძღვანელობა საზ-ბისადმი, პროლეტ. სახელმწიფო კი — ამ ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ფორმა.

ვ. ი. ლენინმა განაზოგადა რუს. პროლეტარიატის რევ. ბრძოლის გამოცდილება და ახსნა საბჭოების კლასობრივი არსი. განავითარა მოძღვრება კომუნისტური საზბის ორი ფაზის შესახებ. დაასაბუთა, რომ განსხვავება პირველ და მეორე ფაზას შორის განისაზღვრება საწარმოო ძალთა განვითარების დონით, ეკონ., პოლიტ., და კულტ. სიმწიფით. „ს. და რ-მ“. დიდი როლი ითამაშა სოციალ. სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის პარტიის მიერ განხორციელებულ თეორ. და პრაქტ. საქმიანობაში. მის ძირითად იდეებს წარმატებით იყენებენ მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიები დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

დ. ლორთქიფანიძე.

სახელმწიფო დეპარტამენტი (Department of state), მთავარი საგარეო-პოლიტიკური უწყება აშშ-ში (1789-დან), საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციების შემსრულებელი. ს. დ-ს სათაოში უდგას სახელმწ. მდივანი.

სახელმწიფო დისციპლინა, სსრ კავშირში სახელმწიფოს მიერ დადგენილი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობის წესი, რ-ის ზუსტი დაცვა სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის. ს. დ. მოითხოვს კანონიერების, საგეგმო დავალებების, სახელშეკრულებო ვალდებულებების მკაცრ დაცვას, დაუშვებელია საერთო-სახელმწ. ამოცანების გადაწყვეტისადმი ვიწრო საუწყებო ან ადგილ. მიდგომა, სახელმწ. და პირადი ინტერესების ურთიერთდაპირისპირება. ს. დ. ეყრდნობა მმართველობის ორგანიზაციის დემოკრ. პრინციპებს, საზ. და შრომის დისციპლინას, კომუნისტური მორალის მოთხოვნებს. სამეურნეო საქმიანობის დარგში ს. დ-ის მთავარი ელემენტია **სახელშეკრულებო დისციპლინა:** კანონით დადგენილი მოვალეობა სოციალ. ორგანიზაციებისა — ზუსტად და დროულად შეასრულონ თავიანთი სახელშეკრულებო მოვალეობანი, აგრეთვე დროულად დადონ ხელშეკრულებანი. სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას ემსახურება კანონმდებლობით ან ოდით ხელშეკრულებით დადგენილი ზარალის გადახდევინების წესი, სანქციები ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევებისათვის. სახელშეკრულებო დისციპლინის განზრახ დარღვევამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება სისხლისსამართ. პასუხისმგებლობა გამოიწვიოს. ს. დ-ის მნიშვნელოვანი ელემენტია **საფინანსო დისციპლინა,** რ-იც გულისხმობს სახელმწ. და საზ. დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საფინანსო ურთიერთობათა ზუსტ და ყოველმხრივ რეგულირებას. მასვე მიეკუთვნება საბიუჯეტო დისციპლინაც, ბიუჯეტში გადასახდელების შეტანა (მ. შ. მოქალაქეების მიერაც) დადგენილი ოდენობითა და გათვალისწინებულ ვადებში. სკკპ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ს. დ-ის დაცვას. სკკპ ცკ-ის 1982 ნოემბ. პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწ. და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს. სკკპ ცკ-ში, სსრკ მინისტრთა საბჭოში და საკავშ. პროფსაბჭოში განიხილეს სოციალ. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების საკითხი და მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი. სკკპ ყრილობებისა და ცკ-ის პლენუმების გადაწყვეტილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ს. დ. კომუნისტური საზ-ბის წარმატებითი მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარ მოშვებულობასთან, რ-იც ს. დ-ის დარღვევას იწვევს. ს. დ-ის დაცვისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწ. ორგანოების, საზ. ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს.

სახელმწიფო დროშა, სახელმწიფოს ოფიციალური განმასხვავებელი ნიშანი, რ-ის აღწერილობას ადგენს კანონი (როგორც წესი, კონსტიტუცია). ითვლება სახელმწიფოს *სუვერენიტეტის* სიმბოლოდ. წარმოადგენს ერთფერ ან მრავალფერ ქსოვილს, რ-ზეც გამოსახულია გერბი ან რაიმე სხვა ემბლემა. ს. დ. აღმართულია სახელმწ. დაწესებულებების, საელჩოების, საკონსულოებისა და სხვ. შენობებზე. ეროვნ. ღღესასწაულის დღეებში საელჩოები, მისიები, საკონსულოები გამოფენენ თავიანთი ქვეყნის ს. დ-ს. სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების ს. დ-ები ოფიც. დღესასწაულის დღეებში გამოფენილია დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, ვაგზლებისა და საცხოვრ. სახლების შენობებზე.

სსრკ კონსტ. თანახმად (მ. 170), სსრკ ს. დ. წარმოადგენს მართკუთხა წითელ ქსოვილს, რ-ის ზემო კუთხეში ტართან გამოსახულია ოქროს ნამგალი და ურო, ხოლო მათ ზემოთ — ოქროს არშიაშემოვლებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

საქ. სსრ ს. დ. აღწერილია საქ. სსრ კონსტიტუციაში (მ. 181) — მართკუთხედის ფორმის წითელი ქსოვილის ზედა კუთხეში ტართან გამოსახულია ცისფერი კვადრატი, რ-ის შუაგულში წრეა, წრეში — ნამგალი და ურო, მათ თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, წრიდან კვადრატის გვერდებს 24 სხივი ეფინება. ნამგალი, ურო, ვარსკვლავი და სხივები წითელი ფერისაა. კვადრატის მარჯვ. გვერდის შუაგულიდან დროშას მთელ სიგრძეზე გასდევს ცისფერი ზოლი.

სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ს. დ-ები იხ. ფერად ჩანართზე.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, I—VIII, გვ. 256—257.

სახელმწიფო ენა, სახელმწიფოს ძირითადი, ოფიციალური ენა.

ბურჟ. სახელმწიფოში ს. ე-ის ხმარება საყოველთაოდ სავალდებულოა ყველა სახელმწ. დაწესებულებაში და მოსახლეობასთან ადმ. ურთიერთობაში. კერძოდ, ს. ე-ზე ეწყობა საქმისწარმოება, სამართალწარმოება, სასკოლო განათლება. მმართველი ერის გაბატონებული ზედაფენა სავალდებულოდ ჩვეულებრივ თავის ეროვნ. ენას აწესებს, რითაც ილახება ეროვნ. უმცირესობათა ინტერესები. ს. ე., მრავალერიან ქვეყნებში განმტკიცებულია კონსტიტუციით (მაგ., ინდოეთში, კანადაში, შვეიცარიაში).

სოციალ. ქვეყნებში, ლენინური ეროვნ. პოლიტიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია სრული ენობრივი თანასწორობა. ვ. ი. ლენინი თანამიმდევრულად გამოდიოდა ერთი რომელიმე ენის იძულებითი დანერგვისა და სხვა ენათა შეზღუდვა-შევიწროების წინააღმდეგ. სსრკ შექმნასთან დაკავშირებით იგი მიუთითებდა, რომ „უნდა შემოვიღოთ უმკაცრესი წესები ეროვნული ენის ხმარების შესახებ ჩვენს კავშირში შემავალ სხვაეროვნებიან რესპუბლიკებში“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 36, გვ. 694). საბჭ. სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველ წლებში ტერმ. „ს. ე.“ ახ. შინაარსით — ყველაზე უფრო ხმარებული ეროვნ. ენის მნიშვნელობით გვხვდება მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკებისა და ოლქების აქტებში, საბოლოოდ კი იგი ამიერკავკ. რესპუბლიკების კონსტიტუციებით განმტკიცდა. სახელდობრ, საქ., აზერბ. და სომხ. სსრ რესპუბლიკების ს. ე-ებად შესაბამისად გამოცხადებულია ქართ., აზერბ. და სომხ. ენები. სსრკ 1977 კონსტიტუცია არ სარგებლობს ტერმინით „ს. ე.“, სამაგიეროდ მასში ლაპარაკია რესპ. ენის შესახებ (მაგ., 116 მუხლის თანახმად, საკავშ. კანონები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე).

ქართ. ენა ს. ე-დ საქართველოში სოციალ. რევ. გამარჯვებისთანავე გამოცხადდა, რაც სახელმწ. აპარატის გაეროვნულებისათვის კომპარტიის ზრუნვას გამოხატავდა. ს. ე. განმტკიცდა რესპ. 1922 ძირითად კანონში, შემდეგ კი, ტრადიციულად, 1927, 1937 და 1978 კონსტიტუციებში. მოქმედი ძირითადი კანონით (მ. 75), ს. ე-ის დაკანონებასთან ერთად უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუს. და სხვა ენებისა, რ-ითაც სარგებლობს მოსახლეობა. საქ. სსრ კონსტ. საფუძველზე ს. ე-ის ინ-ტი აისახა აფხ. ასსრ და აჭარის ასსრ 1978 კონსტიტუციებში (აჭარის ასსრ ს. ე. არის ქართ. ენა; აფხ. ასსრ ს. ე-ებია აფხ., ქართ. და რუს. ენები).

ლიტ.: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები. IX მოწვევის რიგგარეშე VIII სესია (1978 წ. 14—15 აპრ.). სტენოგრ. ანგარიში, თბ., 1978, გვ. 32—34, 61—63, 109—110, 116, 147—148; ფუტკარაძე ი., საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, თბ., 1969, გვ. 44—46, 137—138, 159—161.

ი. ფუტკარაძე.

სახელმწიფო ვალი, სახელმწიფოს დავალიანების საერთო თანხა დაუფარავ ვესხებესა და მის გადაუხდელ სარგებელზე. სესხების გავრცელების სფეროს გათვალისწინებით განასხვაებენ საშინაო და საგარეო ს. ვ-ს, ხოლო დაფარვის ვადების მიხედვით — კაპიტალურსა და მიმდინარეს.

კაპიტალ. ქვეყნებში ს. ვ. წარმოიშობა სახელმწ. სესხის სისტემ. გამოშვებისა და სახელმწ. ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისათვის. ს. ვ-მა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ოდენობას მიაღწია იმპერიალიზმის ეპოქაში, ამასთან მისი ზრდა რამდენადმე წინ უსწრებს ბიუჯეტის რესურსების ზრდას.

განვითარებად ქვეყნებში ს. ვ. უპირატესად საგარეო სესხია.

სოციალ. ქვეყნებში ს. ვ. გამოწვეულია სესხის გამოყენების აუცილებლობით (იხ. *სახელმწიფო სესხი*). სსრკ-ში ს. ვ-ის არსებობა დაკავშირებულია *სახელმწიფო კრედიტთან*. მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სახელმწ. სესხის გამოშვების შეწყვეტისა და მისი დაფარვის 20 წლით განვადების მომენტისათვის სსრკ-ის სახელმწ. ვალი შეადგენდა დაახლ. 26 მლრდ. მან. (1961 მასშტაბით). 1958-იდან ქვეყნის წარმოებისა და ეროვნ. შემოსავლის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით შეწყდა მოსახლეობაში ხელმოწერით გასავრცელებელი სახელმწ. სესხის შემდგომი გამოშვება. 1974-იდან დაიწყო სახელმწ. სესხის ობლიგაციების ვადამდე დაფარვა, რაც გაგრძელდება 1990-მდე.

ნ. ბერძენაძე.

სახელმწიფო ვაჭრობა, იხ. *ვაჭრობა.*

სახელმწიფო კაპიტალიზმი, ქვეყნის ეკონომიკაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმა. ს. კ. წარმოიშვა კაპიტალიზმის ადრინდელ სტადიაზე, იგი ხასიათდებოდა კერძო კაპიტალ. დაგროვების სიმცირით. ამ პირობებში სახელმწიფო იძულებული იყო თავისთავზე აეღო მსხვილი საწარმოების, გზების, არხების, შახტებისა და სხვ. აგება და ექსპლუატაცია ან ამ მიზნით სუბსიდია მიეცა კერძო მეწარმისათვის. ს. კ-ის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია სახელმწ. კაპიტალ. საკუთრება, რ-იც წარმოიშობა ცალკეული საწარმოებისა და ზოგჯერ სახ. მეურნ. ამა თუ იმ დარგის *ნაციონალიზაციით*. სახელმწ. კაპიტალ. საკუთრება დიდდება აგრეთვე სახელმწ. ბიუჯეტის ხარჯზე ახ. საწარმოების მშენებლობის შედეგად. წარმოების საშუალებაზე სახელმწ. საკუთრების არსებობამ და მისმა შეხამებამ შრომითის კანონმდებლობასა და სოც. დაზღვევასთან განაპირობა ჩამოყალიბება ე. წ. *სახელმწიფო სოციალიზმის* დოქტრინისა, რ-იც თანამედროვე რეფორმისტებმა გაავრცელეს სახელმწ. მონოპ. კაპიტალიზმზეც. „მაგრამ არც აქციონურ საზოგადოებათა ხელში გადასვლა და არც სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ სპობს საწარმოო ძალების კაპიტალისტურ თვისებებს... როგორიც უნდა იყოს თანამედროვე სახელმწიფოს ფორმა, ეს სახელმწიფო არსებითად კაპიტალისტურ მანქანას წარმოადგენს, კაპიტალისტების სახელმწიფოს, იდეალურ ერთობლივ კაპიტალისტს“ (ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 235). სახელმწ. საკუთრების წარმოშობა და განვითარება პროგრ. ხასიათისაა. იგი სპობს მითს კერძო საკუთრების მუდმივობის შესახებ. მართალია „საწარმოო ძალების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ იგი შეიცავს მის ფორმალურ საშუალებას, მისი გადაჭრის შესაძლებლობას“ (იქვე, გვ. 235).

იმპერიალ. ქვეყნებში ს. კ. იძენს *სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის* ხასიათს. ამავე დროს მათ შორის პრინციპული განსხვავება არსებობს. კერძოდ, ს. კ. წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების ადრინდელ სტადიაზე, სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმი კი ამთავრებს კაპიტალიზმის განვითარებას; ს. კ-ს საფუძვლად უდევს დაგროვების უკმარისობა, ხოლო სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმის დროს კაპიტალის უდიდესი სიჭარბეა. ს. კ-ში მთავარია სახელმწ. საკუთრების არსებობა, სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმისათვის კი — კერძო მონოპოლიების შეზრდა სახელმწიფოსთან. ს. კ. ბიძგს აძლევდა კაპიტალიზმის განვითარებას, სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმი კი მის შენარჩუნებას ცდილობს, იგი სოციალ. რეეოლუციის წინა დღეა.

განვითარებად ქვეყნებში ს. კ. ასრულებს ახ. როლს. ამ ქვეყნებში სახელმწ. სექტორის შექმნა ქვეყნის ეკონ. დამოუკიდებლობის მიღწევის მძლავრი საშუალებაა (განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რ-ებიც დაადგნენ განვითარების არაკაპიტალ. გზას). კაპიტალიზმიდან სოციალიზმში *გარდამავალ პერიოდში* ს. კ. *პროლეტარიატის დიქტატურისადმი* კაპიტალ. საწარმოების საქმიანობის დაქვემდებარების ფორმაა იმ მიზნით, რომ მთელი წარმოება სოციალისტურად გარდაქმნას. სსრკ-ში ს. კ. ძირითადად არსებობდა კაპიტალისტების მიერ სახელმწ. საწარმოების იჯარისა და კონცესიის ფორმით. მაგრამ ს. კ. საბჭ. კავშირში მნიშვნელოვნად არ განვითარებულა. იგი უფრო ფართო მასშტაბით გამოიყენეს გდრ-ში, რუმინეთში, ჩეხოსლ. სრ-ში, გფრ-ში. ზოგიერთ სოციალ. ქვეყანაში კაპიტალ. საწარმოების მშვიდობიანი ფორმით გარდაქმნას სოციალისტურად აქვს არა მხოლოდ ეკონ., არამედ პოლიტ. მნიშვნელობაც.

ჯ. კახნიაშვილი.

სახელმწიფო კომიტეტები სსრკ-ში, დარგთაშორისი ფუნქციური მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ან რესპუბლიკის მასშტაბით მმართველობის ამა თუ იმ ფუნქციის განხორციელებას (მაგ., დაგეგმვას, კონტროლს, კოორდინაციას და სხვ.). ასეთი ფუნქციური ს. კ-ია: სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტი, სსრკ მშენებლობის საქმეთა ს. კ., შრომისა და სოც. საკითხების, ფასების, მეცნ. და ტექ., სტანდარტთა ს. კ-ები და სხვ. არსებობს აგრეთვე დარგობრივი ს. კ., რ-ებიც ხელმძღვანელობენ მეურნეობის ან სოც.-კულტ. მშენებლობის რომელიმე დარგს. ასეთებია: ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, კინემატოგრაფიის სახელმწ. უშიშროების და სხვ. ს. კ.; ს. კ. კოლეგიურად წყვეტს იმ საკითხებს, რ-ებიც დაკავშირებულია კოორდინაციასთან, რეგულირებასთან და კონტროლთან, ხოლო შიდასაუწყებო ხელმძღვანელობაში იგი ერთმმართველური ორგანოა. 1983 წ. 11 მარტს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა საქ. სსრ სას.-სამ. წარმოების ს. კ. 3 ცენტრ. ორგანოს — საქ. სსრ სოფლის მეურნ. სამინისტროს, საქ. სოფლტექნიკის სახელმწ. კომიტეტისა და საქ. სსრ მელიორ. და წყალთა მეურნ. სამინისტროს ბაზაზე. ს. კ. გამოსცემს დადგენილებებს და ბრძანებებს. დადგენილებები ს. კ-ის კოლეგიის კოლეგიური აქტია, რ-საც ხელს აწერს ს. კ-ის თავ-რე, ხოლო ბრძანება ერთპიროვნული აქტია, რ-საც ერთპიროვნულად სცემს ს. კ-ის თავ-რე. ს. კ-ის კოლეგიასა და თავ-რეს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხი გადაასწყვეტად გადაეცემა მინისტრთა საბჭოს, ხოლო დავის გადაწყვეტამდე მოქმედებს ს. კ-ის თავ-რის ბრძანება. ს. კ-ს ქმნიან სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები მინისტრთა საბჭოს ორგანოს სახით. ს. კ-ის თავ-რე მთავრობის წევრია. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ს. კ-ის თავ-რეები კი მთავრობის წევრები არ არიან და ამ ორგანოთა შექმნა მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას შეადგენს. ესენია საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი სამეურნ., სოც.-კულტ., თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა კომიტეტები (მაგ., ფიზიკური კულტ. და სპორტის, მრეწვ. სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი და სხვ.; სსრკ მინისტრთა საბჭოს შესახებ 1978 წ. 5 იელ. კანონის თანახმად (მ. 22), სსრკ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დააკისროს სსრკ ს. კ-ს მმართველობის დარგების ხელმძღვანელობის ცალკეულ ფუნქციათა განხორციელება.

ვ. ლორია.

სახელმწიფო კონტროლი, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა. სსრკ-ში ს. კ. ფართო გაგებით ნიშნავს სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მათი პრეზიდიუმებისა და მუდმივი კომისიების, საკავშ. და რესპ. მინისტრთა საბჭოების, ადგილ. საბჭოების, აგრეთვე სამინისტროებისა და სახელმწიფოს სხვა ორგანოების საკონტროლო საქმიანობას. ამასთანავე, სსრკ-ში, ისევე როგორც სხვა სოციალ. ქვეყნებში, არსებობს სპეც. საკონტროლო ორგანოები, რ-თა ორგანიზაციასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს ვ. ი. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული და სოციალ. სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გამოცდილებით გამდიდრებული თეორ. დებულებები. საბჭ. სახელმწიფოს არსებობის პირველ დღეებში შეიქმნა მუშათა კონტროლის ორგანოები. 1918 ჩამოყალიბდა ს. კ-ის სახ. კომისარიატი. 1919 მიიღეს დეკრეტი „სახელმწიფო კონტროლის შესახებ“, ხოლო 1920 შეიქმნა *მუშათა და გლეხთა ინსპექცია*. 1940 ჩამოყალიბდა ს. კ-ის საკავშ.-რესპ. სახ. კომისარიატი (1946-იდან — სამინისტრო), შემდეგ კი სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების ს. კ-ის კომისიები. 1962—65 სსრკ-ში მოქმედებდა პარტ.- ს. კ-ის კომიტეტები (აკონტროლებდნენ პარტ. და სახელმწ. ორგანოების საქმიანობას). სკკპ ცკ-ის დეკ. (1965) პლენუმის გადაწყვეტილებით პარტ.-ს. კ-ის ორგანოები სახ. კონტროლის ორგანოებით შეიცვალა.

სახელმწიფო კრება, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, იხ. *უნგრეთი*, სახელმწიფო წესწყობილება.

სახელმწიფო კრედიტი, საკრედიტო ურთიერთობათა ერთობლიობა, რ-ის დროსაც სახელმწიფო გამოდის მსესხებლის როლში. *საერთაშორისო კრედიტის* სისტემაში ხშირად სახელმწიფო კრედიტორის როლშიც გამოდის. ს. კ-ის შინაარსსა და ფორმებს განსაზღვრავს საზ-ბის ეკონ. წყობილების ხასიათი. ს. კ-ის ისტორიას სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს.

კაპიტალ. ს. კ-ის სისტემა ჩაისახა XVI — XVIII სს-ში ჰოლანდიასა და ინგლისში. ის ხელს უწყობდა ახ. ბურჟუაზიის სწრაფად გამდიდრებას. მსოფლიო ბაზრის წარმოშობის შემდეგ ფართოდ გავრცელდა საერთაშ. ს. კ., რ-იც როგორც კ. მარქსმა გვიჩვენა, საშინაო ს. კ-თან ერთად *კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების* მძლავრ საშუალებად იქცა. ს. კ. სასესხო კაპიტალის მოძრაობის ერთ-ერთი ფორმაა. კაპიტალიზმის დროს ს. კ. გამოდის სესხის, აგრეთვე ხაზინის მოკლევადიანი ვალდებულებებისა და მოსახლეობის ანაბრების სახით, რ-თაც შემნახველი სალაროები ათავსებენ სახელმწ. ფასიან ქაღალდებში. ს. კ-ით მოზიდული სახსრები უმთავრესად არამწარმოებლურად გამოიყენება, რასაც თან სდევს *ბელმწიფო ვალის* კოლოსალურად ზრდა *კაპიტალიზმის საერთო კრიზისის* ეპოქაში. სახელმწიფო ს. კ-ს იყენებს მონოპოლიათა პირდაპირი ხარჯისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონ. დეფიციტის დასაფინანსებლად. ამავე პერიოდისთვის დამახასიათებ

ბელია მნიშვნელოვანი ზრდა საგარეო ვალისა, რ-საც კრედიტორი ქვეყნები სხვა ქვეყნების ეკონ. და პოლიტ. დაკაბალებისათვის იყენებენ.

სოციალიზმის დროს ს. კ. არის საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებებისათვის საწარმოებისა და მოსახლ. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის ფორმა. კაპიტალიზმისაგან განსხვავებით სოციალიზმის დროს ს. კ. მწარმოებლურად გამოიყენება, ის ხელს უწყობს საზ. წარმოების, მოსახლ. ფულადი შემოსავლის ზრდას. პირველი სახელმწ. სესხი, რ-იც მოსახლეობისაგან სახელმწიფომ აიღო აღდგენითს პერიოდში, ნატურალურ ფორმას ატარებდა. შემდგომში ის ფულადი სახით გამოდიოდა. პირველ ხუთწლედებში (1929—40 წწ.) დიდი სამამულო ომისა და სახ. მეურნ. აღდგენითს პერიოდში ს. კ. გამოიყენებოდა როგორც ფულადი რესურსების მობილიზაციის ერთ-ერთი ფორმა. 1957-იდან საბჭ. სახელმწიფომ უარი თქვა ს. კ-ის გამოყენებაზე, რ-იც ვრცელდებოდა მოსახლეობაში ხელობწერის ფორმით. ამჟამად ს. კ-ის რესურსების სახით გამოიყენება შემსალაროებში მოსახლ. ანაბრების ნაშთების ზრდა და თავისუფლად მიმოქცევადი 3%-იანი სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციები.

საბჭ. ს. კ-ის ორგანიზაციის გამოცდილებას იყენებენ სოციალ. ბანკის ქვეყნები, რ-ებიც ფართოდ სარგებლობენ საბჭ. ს-კრედიტო დახმარებით. თავის მხრივ საბჭ. ს-ჯავშირიც არ ამბობს უარს საზღვარგარეთის, მ. შ. კაპიტალ. ქვეყნების კრედიტზე, როდესაც ის შეესაბამება პარტიის ეკონ. პოლიტიკას და დაკავშირებული არ არის ეკონ. და პოლიტ. დათმობასთან.

ნ. ბაგრატიონი.

სახელმწიფო მდიდარი, მაღალი თანამდებობის პირი ევროპისა და ამერიკის ზოგ ქვეყანაში. მაგ., აშშ-ში ს. მ. სახელმწიფო დეპარტამენტის — საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელია. ნიშნავს პრეზიდენტი და მის უახლოეს თანამშრომლად ითვლება. იუგოსლავიაში ს. მ. საგარეო საქმეთა და სახ. თავდაცვის საქმეთა სახელმწ. სამდივნოების მეთაურია.

სახელმწიფო მმართველობა, სოციალური მმართველობის ერთ-ერთი სახე, რ-იც მიზნად ისახავს გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვას. სსრკ-ში ს. მ. წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციების პრაქტ. განხორციელების კონკრ. ორგანიზაციას, რ-საც ასრულებენ ს. მ-ის ორგანოები. ს. მ. სახელმწ. საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა (სახელმწ.-ხელისუფლებრივ, სამეურნეო-ადმინისტრაციულ საქმიანობასა და მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად). ვ. ი. ლენინი ს. მ-ის სპეციფიკურობას ხედავდა სახელმწ. ამოცანების, პირველ რიგში სამეურნეო ამოცანების, განხორციელების პრაქტ. ორგანიზაციაში. ს. მ-თვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: 1. იგი განუწყვეტელი, ყოველდღიური, სისტემატურია. 2. ს. მ-ს აქვს ხელმსრ.-განმკარგულებელი თვისება, მმართველობის ორგანო თავისი საქმიანობით ერთდროულად არის როგორც კანონების აღმასრულებელი, ისე მათ შესასრულებლად განმკარგულებელი ორგანო. 3. ს. მ. არის სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების პრაქტ. ორგანიზაცია მმართველობის ფუნქციების მეშვეობით. იმისათვის, რომ მმართველობის ობიექტებმა განახორციელონ თავიანთი ამოცანები, აუცილებელია მათ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევდნენ შესაბამი'ი მმართველობის ორგანოები მმართველობის ისეთი ფუნქციების მეშვეობით როგორიცაა: კონტროლი და შესრულების შემოწმება, გადრების შერჩევა, დაგეგმვა და ა. შ. 4. ს. მ. ციკლური ხასიათისაა (ამოცანების გასაზღვრა, მათი გაანალიზება, გადაწყვეტილების მომზადება, მისი მიღება, აღსრულების ორგანიზაცია, შედეგების შეჯამება). ს. მ-ის ამა თუ იმ ციკლის განხორციელებისას ფართოდ გამოიყენება მართვის ავტომ. სისტემები და ელექტრონული გამომთვლელი მანქანები (კერძოდ, ინფორმაციის შეგროვებისათვის, მისი გადამუშავებისათვის და სხვ.). 5. ს. მ. არის კანონქვემდებარე საქმიანობა. ყოველი მმართველობითი საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს კანონს და მიზნად ისახავდეს მის ცხოვრებაში გატარებას. 6. ს. მ. ექვემდებარება ხალხის ფართო კონტროლს. სსრკ კონსტ. 49-ე მუხლის თანახმად, მშრომელ მასებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწ მმართველობაში, გააკონტროლონ იგი, დასახონ გზები მისი სრულყოფისათვის.

ვ. ლორია.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილი, რ-იც ახორციელებს *სახელმწიფო მმართველობას.* საბჭ. ს. მ. ო.ქმნიან სისტემას — უმაღლეს, ცენტრ., ადგილ. ს. მ. ო-ს. უმაღლეს რგოლს მიეკუთვნებიან სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ცენტრ. რგოლს — სსრკ, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების სამინისტროები, სახელმწ. კომიტეტები და მთავარი სამმართველოები, ხოლო ადგილ. რგოლს — სახ. დეპუტატების ადგილ. საბჭოების აღმასკომები და მათი სამმართველოები და განყ-ბები, აგრეთვე ცენტრ. ორგანოების (სამინისტროების) სამმართველოები და განყ-ბები, რ-ებიც აღმასკომს არ ექვემდებარებიან. ს. მ. ო. ასრულებენ მმართველობის ფუნქციებს, მათ აქვთ თავიანთი კომპეტენცია, კონკრ. ამოცანები, უფლება-მოვალეობები, რაც რეგლამენტირებულია შესაბამის დებულებებში ან ინსტრუქციებში.

ვ. ლორია.

სახელმწიფო მონოპოლიები, იხ. *კაპიტალისტური მონოპოლიები.*

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, მონოპოლისტური კაპიტალიზმის უახლესი საფეხური, რ-თვისაც დამახასიათებელია სახელმწიფო აპარატთან მონოპოლიების შეზრდა და მათი გაერთიანება ერთ მექანიზმად. იგი მიზნად ისახავს კაპიტალ. წყობილების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, თანამედროვე *კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის* მოთხოვნის რეალიზაციას, მუშათა და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ჩახშობას, აგრესიული ომებისათვის მზადების გაძლიერებას.

ს.-მ. კ. რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. იგი მოიცავს ეკონომიკას, პოლიტიკას. იდეოლოგიასა და საერთაშ. ურთიერთობის სფეროს. ამიტომ მარქსისტ-ეკონომისტთა საერთაშ. თეორ. კონფერენციებზე ს.-მ. კ-ის პრობლემები მრავალჯერ იყო თეორ. დისკუსიების თემა.

ს.-მ. კ-ის ღრმა ანალიზი მისი წარმოშობის მომენტიდან მოცემულია ვ. ი. ლენინის შრომებში. წიგნში *„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია"* განხილულია სახელმწ. მონოპოლიების არსებობა და განსაზღვრულია მისი როლი. მომდევნო შრომებში ლენინმა აჩვენა მონოპ. კაპიტალიზმის ს.-მ. კ-ში გადაზრდის პროცესი. შრომაში „ომი და რევოლუცია" (1917) მან გამოაქვეყნა, რომ მონოპოლიებმა საწყისი მისცეს კაპიტალ. წარმოების გასახელმწიფოებრიობას. ეს არის პროცესი „...კაპიტალიზმის გიგანტური ძალის სახელმწიფოს გიგანტურ ძალასთან ერთ მექანიზმად შეერთებისა, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს აყენებს სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთი ორგანიზაციის სამსახურში" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 24, გვ. 485—486).

ლენინისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ ს.-მ. კ-ის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული კაპიტალ. ეკონ. ციკლურ ხასიათთან, კერძოდ, მის კრიზისულ ფაზასთან. გარდა ამისა, ორი მსოფლიო ომის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ეკონომიკის სახ.-მონოპ. რეგულირება ყველაზე ყოვლისმომცველ ხასიათს იძენს მეურნ. საყოველთაო მობილიზაციის საგანგებო პირობებში (სახ. მოხმარების საგნების წარმოების შეზღუდვა; დეფიციტური მასალების, ნედლეულის განაწილების საბაზრო სისტემის შეცვლა ცენტრალიზებული განაწილების სისტემით; საგარეო ვაჭრობაზე პირდაპირი კონტროლის დაწესება; შრომითი კონფლიქტების იძულებითი გადაჭრა და სხვ.). II მსოფლიო ომის შემდეგ ს.-მ. კ-ის ნახტომისებური განვითარება განპირობებული იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებით და მსოფლიოში მიმდინარე სოც. ძვრებით. ს.-მ. კ-ის განვითარების პროცესზე დიდი გავლენა მოახდინა მთავარი კაპიტალ. ქვეყნების ეკონ. მილიტარიზაციის გაძლიერებამ.

თანამედროვე პირობებში ს.-მ. კ-ის განვითარება არ განისაზღვრება კაპიტალიზმის მხოლოდ შინაგანი, იმანენტური კანონების მოქმედებით. მასზე პირდაპირ გავლენას ახდენს მსოფლიო სოციალ. სისტემის წარმოქმნა, სოციალ. ქვეყნების ეკონ. და სოც. განვითარების ზრდის მაღალი ტემპები და ორი მსოფლიო სისტემის ეკონ. შეჯიბრების მსვლელობა. სამეცნ.-ტექ. რევოლუციამ და სოციალ. ქვეყნების წარმატებებმა წარმოების ახ. დარგების განვითარებაში აიძულა მთავარი კაპიტალ. ქვეყნები გადასულიყვნენ ს.-მ. კ-ის უფრო ცენტრალიზებულ ფორმებზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ქვეყნის სახ. მეურნ. პროპორციების მიზანდასახული ცვლილება და სახელმწიფოს ყოველმხრივი ზემოქმედება კვლავწარმოების მთელ პროცესზე. ს.-მ. კ-ის განვითარების ამ ეტაპს შეესაბამება ეკონ. პროგნოზირება და გრძელვადიანი პროგრამირება.

ს.-მ. კ-ის განვითარება სხვადასხვა კაპიტალ. ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია თითოეულ ქვეყანაში კლასობრივი ძალების თანაფარდობაზე. საფრანგეთში ნაციონალიზებულ იქნა ისეთი დარგები, როგორიცაა ქვანახშირის ამოღება, აირის მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, საზღვ. ნაოსნობა, საჰაერო ტრანსპორტი, საავიაციო მრეწველობა, აგრეთვე „რენოს" საავტ. ქ-ნები, ცენტრ. ემისიური დაწესებულება — საფრ. ბანკი, ოთხი უმსხვილესი დეპოზიტური ბანკი, შემნახველი სალაროები, სადაზღვევო კომპანიები. ნაციონალიზაციის შედეგად სახელმწ. სექტორი გახდა ქვეყნის ეკონ. განვითარების გეგმების განხორციელების მატერ. საფუძველი. მიუხედავად ნაციონალიზაციის პროგრესული მნიშვნელობისა, იგი მაინც განხორციელდა მსხვილი ბურჟ. ინტერესების გათვალისწინებით. მაგ. მონოპოლიებმა მიიღეს ნაციონალიზებულ საწარმოებზე მნიშვნელოვანი კომპენსაცია, რ-იც შემდგომ დაბანდებულ იქნა უფრო რენტაბელურ დარგებში. ამრიგად, ნაციონალიზაცია მთლიანად დარჩა ს.-მ. კ-ის ჩარჩოში. მონოპოლისტებმა ფაქტობრივად სახელმწიფოს დააკისრეს მრეწვ. ჩამორჩენილი დარგების (ქვანახშირის, ენერგეტიკის) ძირითადი კაპიტალის განახლების ხარჯები. დიდ ბრიტანეთში მრეწვ. ზოგიერთი დარგის გასახელმწიფოებრიობა მიზნად ისახავდა დაბალი რენტაბელური დარგების ან გამოცოცხლებას (ქვანახშირის) ან სახელმწიფოს ხელში ეკონ. მნიშვნელოვანი ბერკეტების (ინგლ. ბანკი, რკინიგზის ტრანსპორტი) თავმოყრას. აშშ-ში ს.-მ. კ-ის განვითარება დაკავშირებული იყო ეკონ. მილიტარიზაციის გაძლიერებასა და საშინაო ბაზრის გაფართოების ცდასთან.

ნაციონალიზაცია წარმოების კაპიტალ. განსაზოგადოების უმაღლესი საფეხურია. იგი მაშინაც კი, როცა შემდგომ პერიოდში მისი შინაარსი გადაიხარა პირველსაწყისი მიზნიდან, წარმოადგენს ყველაზე ცხად უარყოფას იმისას, რაც შეადგენს კაპიტალ.

სისტემის საფუძველს — კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე. მონოპ. ბურჟუაზიის მხრივ ნაციონალიზაციაზე დათანხმება მხოლოდ იძულებითი დათმობაა, რ-იც გამოწვეულია ან კლასობრივი ბრძოლით, ან ეკონ. სიძნელეებით, ან ერთდროულად ორივე მიზეზით. ჩვეულებრივ ბურჟუაზია უპირატესობას აძლევს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფარულ ფორმას. ეს იწვევს სახელმწ. კაპიტალისა და კერძო კაპიტალის რთულ გადახლართვას, მაგრამ ყველა შემთხვევაში მეორე იმორჩილებს პირველს.

ს.-მ. კ-ის განვითარება სწორხაზოვნად როდი მიმდინარეობს. ზოგჯერ ცალკეული მონოპ. ჯგუფის ინტერესები იწვევს საწარმოთა ნაწილის დენაციონალიზაციას, სახელმწ. კონტროლის შესუსტებას ამა თუ იმ დარგის საქმიანობაზე (მაგ., ნავთობის ფასზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმება აშშ-ში) და სხვ. მაგრამ დამახასიათებელ ნიშნად რჩება ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერება.

ს.-მ. კ-ის ძირითადი ფორმები. კაპიტალ. სახელმწიფოების განვითარების ისტ. და კონკრ. პირობები განსაზღვრავს მოცემულ ქვეყანაში ს.-მ. კ-ის ფორმებს და ამ ფორმების შეხამების მეთოდებს. გამოყოფენ ს.-მ. კ-ის შემდეგ ძირითად ფორმებს: 1. სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრება. სამეურნეო ცხოვრებას ბაზისად უდევს *წარმოებითი ურთიერთობა*. ამ უკანასკნელზე აღიმართება ზედნაშენი, რ-ის შემადგენელი ნაწილია სახელმწიფო. ს.-მ. კ-ის დროს სახელმწიფო ცნობილი ზომით ბაზისის შემადგენელი ნაწილიც ხდება. ამ პროცესს ხელს უწყობს სახელმწიფო საკუთრების წარმოშობა, რ-იც უწინარეს ყოვლისა, მიიღწევა სახ. მეურნ. ცალკეული დარგის ნაციონალიზაციით. სახელმწ. საკუთრება წარმოიქმნება აგრეთვე სახელმწ. საწარმოების აშენებით (მაგ. სამხ. მრეწველობა), სახელმწიფოს მიერ *სააქციო საზოგადოების* აქციების ნაწილის შეძენით და სხვ.; მთავარ კაპიტალ. ქვეყნებში სახელმწ. საკუთრების წარმოშობა საფუძვლად დაედო სახელმწიფო სექტორის წარმოქმნას. არსებობს სახელმწ. სექტორის რამდენიმე ფორმა. მაგ., საფრანგეთში მისი 3 ძირითადი ფორმაა. 1. სახელმწიფოს სრულ განკარგულებაში არსებული საზ-ბა („ელექტრისიტე დე ფრანსი", „გაზ დე ფრანსი" და სხვ.); 2. ავტონ. საზ-ბა, რ-ზეც ვრცელდება სახელმწ. ორგანოების კონტროლი (თამბაქოს მრეწვ. საფოსტო სამსახური, ტელეგრაფი-ტელეფონი, კავშირგაბმულობა) და 3. შერეული საზ-ბა. სახელმწიფო მონაწილეობს კერძო კაპიტალის ფუნქციონირებაში, სადაც მას ეკუთვნის სააქციო კაპიტალის დაახლ. 1/3.

ყველა კაპიტალ. ქვეყანაში სახელმწ. სექტორის შექმნა და განვითარება პრაქტიკულად ერთსა და იმავე დარგებში განხორციელდა (ქვანახშირის მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, ტრანსპორტი, ავიაცია და კოსმონავტიკა, ატომური ენერგია და სხვ.). ეს ის დარგებია, რ-თა ძირითად კაპიტალს დიდი მნიშვნელობა და ამავე დროს დიდი ღირებულებაც აქვს. ეკონ. სიძნელეების დროს ამ დარგებს უჭირთ მანევრირება, გაძნელებულია სხვა დარგებში კაპიტალის გადატანა. ასევე გართულებულია მისი ძირითადი კაპიტალის შემცირება უმუშევრობის ან ეკონ. აქტიურობის დაქვეითების პირობებში. ამასთან ერთად, ამ დარგებისათვის ფასების მკვეთრი შემცირება უფრო სახიფათოა. ამრიგად, აღნიშნული დარგები მეტად მერყეევი დარგებია, რ-ებიც, მაღალი *კაპიტალის ორგანული შედგენილობის* გამო უარყოფითად მოქმედებენ მოგების საერთო ნორმაზე. ამ დარგებში სხვა დარგებთან შედარებით ადრე დაიწყო მონოპოლიზაციისა და სახელმწიფოს ჩარევის პროცესი. *ძირითადი კაპიტალის* როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია *ინფრასტრუქტურის* შექმნაში, ამრიგად, ს.-მ. კ-ის პირობებში სახელმწიფო გამოდის კოლექტ. კაპიტალ. მესაკუთრის როლში თავის მიერ ექსპლუატირებული დაქირავებული მუშაკების მიმართ. სახელმწიფო საკუთრების უფლებით განაგებს ეროვნ. შემოსავლის დიდ ნაწილს. მის ხელშია საემისიო ბანკები და, აქედან გამომდინარე, კონტროლი ფულის მიმოქცევაზე და ა. შ. ყოველივე ამის გამო, სახელმწიფო აქტ. ზემოქმედებას ახდენს წარმოებითი ურთიერთობის (ბაზისის) ყველა მომენტზე (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება). მიუხედავად ამისა, ამ პირობებშიც სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, ასრულებს ზედნაშენის ფუნქციას, რამდენადაც ბურჟ. სახელმწიფოს საბოლოო ანგარიშში ეკისრება განახორციელოს არაეკონ. ფუნქცია, კერძოდ, დაიცვას კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული კაპიტალ. მეურნეობა, გაახანგრძლივოს და შეინარჩუნოს იმისი არსებობა. 2. სახელმწიფო კაპიტალდაბანდება. ს.-მ. კ-ის განვითარების კვალობაზე იზრდება მთლიან კაპიტალდაბანდებაში სახელმწ. ხარჯების წილი და მოცულობა. სახელმწიფო კაპიტალი უმთავრესად იმ დარგებისაკენ მიემართება, რ-ებიც უზარმაზარ ფულად სახსრებს მოითხოვენ და ნაკლებრენტაბელური არიან (ინფრასტრუქტურა, კოსმ. გამოკვლევა, ატომური ენერგეტიკა და სხვ.). სახელმწ. სექტორის როლს განვითარებული კაპიტალ. ქვეყნების ეკონომიკაში ცხადყოფს ზოგიერთი ციფრი: სახელმწ. ინვესტიციის წილი კაპიტალდაბანდების მთლიან მოცულობაში გფრ-ში შეადგენს — 19%, საფრანგეთში — 24,2, იტალიაში — 53, ინგლისში — 18,7, ბელგიაში — 13,5, დანიაში — 12,7%. ამავე დროს კერძო სექტორთან შედარებით აქ დაბალია დამატებითი ღირებულების ხვ. წ. მთლიან ეროვნ. პროდუქტში. ზემოაღნიშნულ ქვეყნებში იგი შესაბამისად უდრის 12,7%; 11,6, 17,1, 10,2, 5,1, 6,1%. ამის მიზეზი ის არის, რომ სახელმწ. კაპიტალდაბანდება უწინარეს ყოვლისა, მიმართება ეკონომიკურად დაბალ რენტაბელურ ან წამგებიანი დარგებისაკენ (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვ.). 70-იან წლებში ენერგეტ. და ნედლეულის კრიზისმა და ამასთან დაკავშირებით კაპიტალ. კვლავწარმოების პირობების შეცვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ძვრები კაპიტალდაბანდების ტექნოლ. და დარგობრივ სტრუქტურაში. კაპიტალდაბანდების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მანქანებისა და მოწყობილობის, რობოტებისა და მანიპულიატორების შეძენას წარმოების მოდერნიზაციისა და ავტომატიზაციის მიზნით. 1975—78 წლებში აშშ-ში დანახარჯებმა მანქანებისა და მოწყობილობის შეძენაზე მთლიან კაპიტალდაბანდებაში შეადგინა 62%, 1950 კი იგი 65% შეადგენდა. გადასამუშ.მრეწველობაში. ეს თანაფარდობა შესაბამის პერიოდში შეადგენს 85%-სა და 15%-ს. იგივე ითქმის სხვა განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებზეც (გფრ, იაპონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი). 70-იანი წლების ინვესტიციური პროცესების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მანქანებისა და მოწყობილობების კაპიტალდაბანდების მთლიან ჯგუფში წარმოებითი და მართვის პროცესების ავტომატიზაციისა და კონტროლის საშუალებებზე დანახარჯების სწრაფი ზრდა. აშშ-ში 1955 ამ დანახარჯების წილი შეადგენდა მხოლოდ 7%-ს, 1978 კი — 34% (ე. ი. 5-ჯერ გაიზარდა). სწრაფად მატულობს სახელმწ. დანახარჯები სამეცნ.-კვლ. მუშაობაზე, 1970 წ. 10 უმსხვილეს კაპიტალ. ქვეყანაში დანახარჯებმა სამეცნ.-კვლ. და საცდელ-საკონსტრუქტორო (სკსს) სამუშაოებზე 92,2 მლრდ. მან. შეადგინა, რაც 4,9-ჯერ აღემატება 1961 ანალოგიურ მაჩვენებელს. აშშ-ში 1951—78 წლებში სამეცნ.-კვლ. მუშაობაზე დაახლ. 500 მლრდ. დოლ. დაიხარჯა (60%-ზე მეტი მოდიოდა სამხ. კვლევასა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებაზე). მასზე მოდის ეროვნული პროდუქტის 2,27% (1985) უკანასკნელ პერიოდში მეტი ყურადღება ეთმობა ფუნდამენტურ გამოკვლევებს. თუ აშშ-ში 1960 სამეცნ.-კვლ. მუშაობაზე გაწეული დანახარჯების 85% ხმარდებოდა კვლევის შედეგების გადამუშავებასა და დანერგვას, ხოლო 4% — ფუნდამენტურ მუშაობას, უკვე 1976 ამ უკანასკნელმა მიაღწია 12,6%-ს, ე. ი. სამჯერ და მეტად გაიზარდა. იაპონიაში სკსს სფეროში დასაქმებულია 280 ათ. კაცი (1979 წ.) ანუ კაპიტალ. სამყაროს მეცნ.-კვლევითი პერსონალის 10% სკსს-ზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3,5 ტრილიონი იენი (კაპიტალ. სამყაროში სკსს-ზე ერთობლივი ხარჯის 10%). აქედან სახელმწ. სექტორზე მოდის დაახლ. 30%. გფრ-ში სკსს-ზე დანახარჯი შეადგენს 34,7 მლრდ. მარკას. აქედან სახელმწიფოს წილად მოდის დაახლ. 50% (1981). საფრანგეთში სახელმწიფომ სკსს-ზე დახარჯა 52 მლრდ. ფრანკი (1982). მთავარ კაპიტალ. ქვეყნებში სახელმწ. კაპიტალდაბანდების ზრდა ამცირებს კერძო მონოპოლიების წარმოების ხარჯებს და ადიდებს მათ ნოგებას.

3. სახელმწიფო მოხმარება. სახელმწ. მოხმარება კერძო სექტორის სახელმწ. დაფინანსების ყველაზე უძველესი ფორმაა. ამ სფეროში სახელმწიფოს ჩარევა მეტწილად ხორციელდება სახელმწ. ბიუჯეტის მეშვეობით. 1929 საფრანგეთში სახელმწ. ბიუჯეტის სახსრების ჯამი შეადგენდა ეროვნ. შემოსავლის მხოლოდ 5%, 1978 კი მან 23% გადააჭარბა. თუ ამ ქვეყანაში 1947 სახელმწ. ბიუჯეტიდან ხარჯებმა 9 მლრდ. ფრანკი შეადგინა, 1970 იგი 164,2, ხოლო 1978 წ. 441,3 მლრდ. ფრანკს უდრიდა (მიმდინარე ფასებით) და თითქმის 50-ჯერ აღემატებოდა 1947 დონეს. ომის შემდგომ პერიოდში სახელმწ. მოხმარება ხდება ეკონომიკაზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფაქტორი. 70-იან წლებში მისი წილი ცალკეული ქვეყნების მთლიან მოხმარებაში შეადგენდა (პროცენტობით): აშშ-ში — 25; ინგლისში — 22,6; გფრ-ში— 22,6; ჰოლანდიაში — 22,1; იტალიაში — 21,4; ბელგიაში — 18,8; იაპონიაში — 18,5; საფრანგეთში — 17,1. სახელმწ. მოხმარებაში გამოიყოფა სახელმწ. შესყიდვა. საფრანგეთში მასზე მოდის მთლიანი ეროვნ. პროდუქტის დაახლ. 10%. სახელმწ. შესყიდვის შემადგენელი ნაწილია სამხ. ხარჯი. აშშ-ში სახელმწ. მოხმარების შედარებით მაღალი დონე სწორედ ამ ქვეყნის ეკონ. სწრაფი მილიტარიზაციით აიხსნება, 1983 (წინასწარი მონაცემით) აშშ-ის სამხედრო ხარჯმა შეადგინა 200,3 მლრდ. დოლ. ანუ *სახელმწიფო ხარჯის* 30%. სახ. მეურნ. ცალკეული დარგები აშკარად ღებულობს მილიტარისტულ ხასიათს. მაგ., საფრ. საავიაციო-კოსმ. და მრეწვ. ელექტრონულ დარგებში სამხ. დაკვეთები შეადგენს შესაბამისად 70 და 60%-ს. სახელმწ. მოხმარება მოიცავს აგრეთვე ტრანსფერტულ გადასახდელებს, კაპიტ. დანახარჯებს სახ. სამუშაოებზე, სახელმწ. საწარმოების დანახარჯებს და სხვ.

ეროვნ. ეკონ. ჩარჩოში ეკონომიკის რეგულირების სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ მონოპოლიების საგარეო ეკონ. ექსპანსიისადმი მხარდაჭერა (მთავრობის მიერ საქონლის ექსპორტის გარანტია, საექსპორტო ოპერაციების სადასახადო დაბეგვრის შეღავათი, იმპერიალისტური „დახმარება", სავალუტო პოლიტიკა და ა. შ.), სახელმწიფო დახმარებით ნედლეულის წყაროებზე მონოპოლიებისათვის ხელსაყრელი საერთაშ. კარტელური შეთანხმების დადება და ა. შ.

ს.-მ. კ-ის საერთაშ. ფორმები. თანამედროვე ს.-მ. კ-თვის დამახასიათებელია საერთაშ. ფორმების მრავალ-

სახეობა. ეროვნ. მეურნეობაში წამყვან როლს ასრულებს ს.-მ. კ-ის ისეთი ფორმები, როგორიცაა სახელმწ. საკუთრება, სახელმწ. ბაზარი და ა. შ. საერთაშ. ასპარეზზე კი მათი როლი უმნიშვნელოა. საერთაშ. ასპექტში ს.-მ. კ. მოიცავს საერთაშ. ეკონ. ურთიერთობის რეგულირების სხვადასხვა ფორმას საერთაშ. შეთანხმების ან საერთაშ. ორგანიზაციებისა და კავშირების ფარგლებში. საერთაშ. ეკონ. პოლიტიკას ახორციელებენ ეროვნ. სახელმწიფოები ან საერთაშ. ორგანიზაციები. საერთაშ. ეკონ. რეგულირებამ შეიძლება მოიცვას მსოფლიო კაპიტალიზმის ყველა ქვეყანა ან მისი უმრავლესობა. ზოგიერთი სახელმწიფოთშორისი შეთანხმება შეიძლება რეგიონალური მნიშვნელობის იყოს.

მსოფლიო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს რეგულირების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ცალკეული სახეების სახელმწიფოთშორისი რეგულირება (საერთაშ. ვაჭრობა, სავალუტო სისტემა, საერთაშ. კრედიტი და ა. შ.) და ქვეყნებს შორის ეკონ. ურთიერთობის კომპლექსი, რ-იც აისახება საერთაშ. კაპიტალ. *ინტეგრაციაში*. სავაჭრო და სავალუტო ურთიერთობის საერთაშ. რეგულირების ზოგიერთი ფორმა ვრცელდება მთელ კაპიტალ. სამყაროზე. რაც შეეხება ინტეგრაციულ პროცესს, რ-იც ს.-მ. კ-ის ყველაზე განვითარებული საფეხურია, რეგიონალური ხასიათისაა.

საერთაშ. ეკონ. ურთიერთობის ცალკეული სახის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშ. ეკონ. ორგანიზაციები. მრავალ საერთაშ. ორგანიზაციაში კაპიტალ. ქვეყნების სახელმწ. დაწესებულებებთან ერთად მონაწილეობენ კერძო ფირმებიც. საერთაშ. ეკონ. ურთიერთობის რეგულირებაში ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშ. ვაჭრობა და ფინანსური ანგარიშსწორების სისტემა. მსოფლიო მეურნეობაში ფართო უფლებების მქონე საერთ. ეკონ. ორგანიზაციების გაჩენა ახ. მოვლენაა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ *გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე* (გატტ); 1947 ჟენევაში შეთანხმებას ხელი მოაწერა 23 ქვეყანამ. ამჟამად ეს ორგანიზაცია აერთიანებს მსოფლიოს 23 ქვეყანას (1983). გატტის ჩარჩოში ტარდება მლაპარაკებები საბაჟო ტარიფების ურთიერთშემცირებისა და ვაჭრობაში უტარიფო ზღუდეების გამოყენების რეგულირებაზე. მსოფლიო კაპიტ. მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს საერთაშ. საკრედიტო ურთიერთობაში ასრულებს *რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი*, რ-მაც ფუნქციონირება 1946 დაიწყო და აერთიანებს 214 ქვეყანას (1983), ხოლო საერთაშ. სავალუტო ურთიერთობის ბაზით — *საერთაშორისო სავალუტო ფონდი* (სსფ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავრობათშორისი სპეციალიზებული დაწესებულება (1946-იდან). მისი წევრია 146 ქვეყანა (1983). სსფ-ის მიზანია წევრი ქვეყნების სავალუტო-ფინანსური პოლიტიკის კოორდინაცია და მათთვის საშ. ვადის სესხების მიწოდება საგადამხდელო ბალანსის რეგულირებისა და სავალუტო კურსის მხარდასაჭერად. განვითარებული კაპიტ. ქვეყნების ეკონ. და პოლიტიკური წინააღმდეგობების მაქსიმალური შერბილების მიზნით 1961-იდან ფუნქციონირებს ეკონ. თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო), რ-იც 24 ქვეყანას აერთიანებს (1983). ეთგო-ს მუშაობაში მონაწილეობენ *ევროპის ეკონომიკური გაერთიანების* კომისია, თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციის ნახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების და ევრატომის წარმომადგენლები. 1974-იდან ეთგოს ფარგლებში მოქმედებს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, რ-იც 21 ქვეყანას აერთიანებს.

კაპიტალ. ინტეგრაციული პროცესებიდან, გარდა ევროპის ეკონ. გაერთიანებებისა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციისა, აღსანიშნავია აგრეთვე ინტეგრაციის ლათინურ-ამერიკული ასოციაცია (1980-იდან), რ-ის ფარგლებში მოქმედებს სუბრეგიონალური დაჯგუფებები (ლაპლატის, ანდის); ცენტრ. ამერ. საერთო ბაზარი (1961-იდან), დასავლეთაფრიკული ქვეყნების ეკონ. გაერთიანება („ეკოვას"; 1975), დას. აფრ. ეკონ. გაერთიანება („კეაო"; 1972 წ.).

ს.-მ. კ-ის განვითარების დონე მსოფლიო კაპიტალ. მეურნეობაში შემავალი ქვეყნებისათვის განსხვავებულია. ეს განსხვავება შეიმჩნევა თვით აშშ-სა და დას. ევრ. ქვეყნებს შორის. ამ უკანასკნელში ყველაზე მეტად გავრცელებულია კვლაყწარმოების მსვლელობაში სახელმწიფოს უშუალო ზემოქმედების მეთოდების გამოყენება. ეს აიხსნება ქვეყნების ეკონომიკაში სახელმწ. სექტორის მნიშვნელოვანი ხვედრითი წონით.

ს.-მ. კ. წარმოიშვა კაპიტალ. კვლაყწარმოების წინააღმდეგობის გადაჭრის ბაზაზე. ამ წინააღმდეგობათა „გადაჭრის" პროცესში იგი ობიექტურად ქმნის უფრო დიდი კონფლიქტების წარმოშობის ახ. პირობებს. ამასთან დაკავშირებით სახელმწ. მონოპ. რეგულირების სისტემა თვით აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში.იგი კონცენტრირებულ ფორმაში აისახება ეკონ. ზრდისა და ინფლაციის, ინფლაციისა და დასაქმების, ფასების დინამიკისა და კრიზისული ციკლის ურთიერთდამოკიდებულების დარღვევაში. „სრულიად აშკარად ჩანს, რა ცოტა რამ შეუძლია კაპიტალისტური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას. ინფლაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების განზორციელებით ბურჟუაზიული მთავრობები ხელს უწყობენ წარმოების მოდუნებასა და უმუშევრობის ზრდას: ცდილობენ რა შეაჩერონ წარმოების კრიზისული დაქვეითება, ისინი კიდევ უფრო აძლიერებენ ინფლაციას" (სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 29). სახელმწ. მონოპ. რეგულირების კრიზისი აისახება კაპიტალ. ქვეყნების საგარეო პოლიტიკაშიც, რაც ვლინდება დაძაბულობის შენელების, შეიარაღების შეზღუდვის, სოციალიზმის ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მოწინააღმდეგეთა გააქტიურებაში.

ჯ. კაბნიაშვილი.

სახელმწიფო პრემია, მოქალაქეთა წახალისების ერთ-ერთი ფორმა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მოპოვებული უდიდესი შემოქმედებითი მიღწევებისათვის. სსრკ ს. პ. დაწესებულია სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 9 სექტ. დადგენილებით. ს. პ-ს ანიჭებენ ისეთი მეცნ. გამოკვლევისათვის, რ-მაც დიდი წვლილი შეიტანა სამამულო მეცნ. განვითარებაში; პროგრ. მასალის, მანქანების, მექანიზმების შექმნისა და მათი დანერგვისათვის სახ. მეურნეობაში, ახ. მაღალმწარმოებლური ტექნოლ. პროცესებისათვის; ორიგინ. არქიტ. და ტექ. ნაგებობისათვის; ლიტ-რისა და ხელოვნ. ყველაზე უფრო ნიჭიერი მაღალიდეური ნაწარმოებისათვის. პრემიას ანიჭებენ ყოველწლიურად ოქტ. რევ. წლისთავთან დაკავშირებით. მეცნ. და ტექ. დარგში 50-მდე პრემიაა გათვალისწინებული, ლიტ-რის, ხელოვნ. და არქიტ. დარგში — 10-მდე პრემია. გარდა ამისა, 1970-იდან დაწესდა ერთი ს. პ. საბავშვო ლიტრისა და ხელოვნ. ნაწარმოებისათვის და 4 — უმაღლესი, საშ. სპეც., სასწ. დაწესებულებების სახელმძღვანელოთა შექმნისათვის. თითოეული ს. პ-ის ოდენობაა 5000 მან. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლენინური და ს. პ-ების კომიტეტის გადაწყვეტილებას ს. პ-ის მიკუთვნების შესახებ ამტკიცებს სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭო.

ს. პ-ები დაწესებულია აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში. საქ. სსრ ს. პ-ების შესახებ იხ. სტ. *პრემია*, აგრეთვე ტ. *საქართველოს სსრ.*, თავი საქ. სსრ სახელმწიფო პრემიები.

სახელმწიფო რეზერვი, სახელმწიფოს მიერ შექმნილი უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულის, მასალის, სათბობის, ზოგიერთი სახეობის მანქანისა და მოწყობილობის, სასურსათო საქონლის, აგრეთვე თავდაცვის დანიშნულებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მარაგი. ს. რ. შედის განსაკუთრებულ სახელმწ. ფონდში. სსრკში ს. რ-ის წარმოქმნა და შევსება გათვალისწინებულია სახ.-სამ. გეგმით და მისი დახარჯვა დაშვებულია მხოლოდ სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებითა და განკარგულებით.

სახელმწიფო საბჭო, 1. რუსეთის იმპერიის უმაღლესი კანონსათათბირო დაწესებულება. შეიქმნა 1810 წ. 1 (13) იანვ. მ. სპერანსკის სახელმწ. გარდაქმნათა გეგმის შესაბამისად. ს. ს-ში იხილავდნენ კანონპროექტებს (მეფისათვის დასამტკიცებლად მათი წარდგენის წინ). თავდაპირველად ს. ს-ში იყო 35 წევრი, 1890 კი — 60. წევრებსა და თავ-რეს მეფე ნიშნავდა (მინისტრები თანამდებობით იყვნენ ს.-ს წევრები). ს. ს. 4 დეპარტამენტისაგან შედგებოდა: კანონთა (განიხილავდა საერთო-სახელმწ. მნიშვნელობის კანონპროექტებს), სამოქალაქო და სას. საქმეთა (განაგებდა იუსტიციის, პოლიციისა და სას. უწყების საკითხებს), სახელმწ. ეკონომიის (დასაქმებული იყო ფინანსების, მრეწვ., ვაჭრობის, მეცნ. და სხვ. საკითხებით), სამხ. (არსებობდა XIX ს. 50-იანი წლების ბოლომდე). ყველა საქმე სახელმწ. კანცელარიაში შედიოდა. კანცელარიას სათავეში ედგა სახელმწ. მდივანი (პირველი სახელმწ. მდივანი თვით მ. სპერანსკი იყო). გარდა ამისა, ს. ს-ს შემადგენლობაში იყო ცალკეული კომისიები, განყ-ბები და სხვ. ს. ს-ს როლი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მისი ადგილი სახელმწ. დაწესებულებათა სისტემაში საბოლოოდ ნიკოლოზ I-ის მეფობაში განისაზღვრა. ს. ს-ს მნიშვნელობა შემცირდა 1815—25 და 80-იან წლებში, იგი ძირითადად კომიტეტით შეიცვალა. 1906-იდან ს. ს-მ, ისევე როგორც *სახელმწიფო სათათბირომ*, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მიიღო. ამ დროს ს. ს. სანახევროდ დანიშვნითი, ხოლო სანახევროდ არჩევითი წევრებისაგან იქმნებოდა (წევრებს 9 წლით ირჩევდნენ, ყოველ 3 წელიწადში შემადგენლობის 1/3 განაახლებდნენ). ს. ს. 1917 თებ. რევ. შედეგად გაუქმდა. 2. საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია, ტუნისი და სხვ.) — ერთ-ერთი ცენტრ. სახელმწ. დაწესებულება: ან *ადმინისტრაციული იუსტიციის* უმაღლესი ორგანო, ან კონსტ. კონტროლის ორგანო, ან (ცალკეულ ქვეყნებში — იმავდროულად) სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საკონსულტაციო ორგანო. 3. შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ფინეთსა და შვეიც. კანტონთა ნაწილში, ჩინ. სახ. რესპუბლიკაში მთავრობის ოფიც. სახელწოდება. 4. პოლონეთში, გდრ-ში, რუმინეთში — სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიური ორგანო, რ-საც ირჩევს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო (სეიმი, სახ. პალატა, დიდი ეროვნ. კრება).

სახელმწიფო საზღვარი, სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლების განმსაზღვრელი ხაზი. განასხვავებენ სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ს. ს-ს. სახმელეთო და წყლის საზღვარი მეზობელ სახელმწიფოებს შორის დადგენილია ხელშეკრულების წესით დელიმიტაციისა და დემარკაციის გზით (იხ. *დელიმიტაცია საზღვრისა, დემარკაცია საზღვრისა*), სანაოსნო მდ-ებზე ს. ს. ჩვეულებრივ ფარვატერზე ან ტალვეგზე გადის, არასანაოსნო მდ-ებზე — მდინარის შუაგულში, მოსაზღვრე ტბებში კი — ან მის შუაგულში, ან იმ სწორ ხაზზე, რ-იც სახმელეთო საზღვრებს ტბის ნაპირებთან

აერთიანებს. საზღვაო ს. ს., რ-იც გამოყოფს ტერიტ. წყლებს ღია ზღვისაგან, საერთაშ. სამართ. შესაბამისად, მონაპირე სახელმწიფოთა კანონმდებლობებით განისაზღვრება. საჰაერო სივრცის საზღვრად ითვლება ვერტიკალური სიბრტყე, რ-იც სახმელეთო და წყლის ს. ს-ზე გადის. ს. ს. ხელშეუხებელია. ს. ს-ის დაცვის მიზნით სასაზღვრო არეში დაწესებულია სპეც. *სასაზღვრო რეჟიმი*, რ-იც რეგულირდება მოსაზღვრე სახელმწიფოთა შინაგანი კანონმდებლობებითა და ურთიერთშეთანხმებებით. სსრკ-ში ს. ს-ის რეჟიმი განსაზღვრულია სსრკ 1982 კანონით ს. ს-ის შესახებ და მოსაზღვრე ქვეყნებთან შეთანხმებებით. საერთაშ. პრაქტიკაში კონფლიქტის მოსაწესრიგებლად სსრკ ინიციატივით მოსაზღვრე ქვეყნების ს. ს-თან მყოფ რ-ნებში ნიშნავენ სასაზღვრო წარმომადგენლებს (*სასაზღვრო კომისარსა* და სხვ.).

ლიტ.: Курс международного права, т. 3, М., 1967. *რ. დეკანოზოვი.*

სახელმწიფო სათათბირო რუსეთში 1906—17, წარმომადგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულება, რ-საც ჰქონდა შეზღუდული უფლებები. შექმნა რუს. თვითმპყრობელობამ 1905—07 რევ. გავლენით. სათათბიროს მიზანი იყო ცარიზმის კავშირის განმტკიცება ბურჟუაზიასთან, ქვეყნის გადაყვანა ბურჟ. მონარქიის რელსებზე და თვითმპყრობელობის პოლიტ. ძალაუფლების შენარჩუნება.

I ს. ს. (1906 წ. 27 აპრ.—8 ივლ. 1 სესია). 1905 ოქტ. პოლიტ. გაფიცვამ აიძულა იმპ. ნიკოლოზ II გამოექვეყნებინა 17 ოქტ. მანიფესტი, რ-შიც დაპირება იყო ს. ს-ს მოწვევის თაობაზე. 1905 წ. 11 დეკ. გამოვიდა კანონი არჩევნების შესახებ, რ-მაც *ბულიგინის სათათბიროს* არჩევნებთან შედარებით რამდენადმე გააფართოვა ამომრჩეველთა სოც. შემადგენლობა. არჩევნები არ იყო საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი. ცარიზმმა მაქსიმალურად შეზღუდა I ს. ს.-ს უფლებები და იგი ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებულ ორგანოდ გადააქცია.

ბოლშევიკურმა პარტიამ ბოიკოტისკენ მოუწოდა მშრომელთა მასებს, მაგრამ რევ. მოძრაობის დაღმავლობის პირობებში ეს ვერ მოხერხდა. 1906 თებ.-მარტის არჩევნების შედეგად ს. ს-ს 478 დეპუტატიდან 179 კადეტი იყო, 63 — ავტონომისტი, 16— ოქტიაბრისტი, 105 უპარტიო, 97—ტრუდოვიკი, 18 სოციალ-დემოკრატი (თავ-რე კადეტი ს. მურომცევი).

ს. ს. ძირითადად იხილავდა აგრ. პრობლემას. წარმოდგენილ კანონპროექტებში მოითხოვდნენ მიწათმფლობელობის მეტნაკლებად შეზღუდვას. ცარიზმმა სახიფათოდ მიიჩნია ს. ს-ს საქმიანობა და 9 ივლ. იგი დაშლილად გამოაცხადა.

II ს. ს-ს (1907 წ. 20 თებ.—2 ივნ. 1 სესია) შემადგენლობა უფრო მემარცხენე იყო. ბოლშევიკურმა პარტიამ უარი თქვა ბოიკოტზე და მიზნად დაისახა ს. ს-ს ტრიბუნის გამოყენება რევ. ინტერესებისათვის. ს. ს-ს 518 დეპუტატიდან 65 სოციალ-დემოკრატი იყო, 37 — ესერი, 16 — სახ. სოციალისტი, 104 — ტრუდოვიკი, 98 — კადეტი, 54 — მემარჯვენე და ოქტიაბრისტი; 76 — ავტონომისტი, 50 — უპარტიო, 17 კაცი კაზაკთა ჯგუფიდან, 1 დეპ. — დემოკრ. რეფორმის პარტიიდან (თავ-რე — კადეტი თ. გოლოვინი). აგრ. საკითხი კვლავ ცენტრალურ საკითხად რჩებოდა. კადეტებმა მინიმუმამდე შეამცირეს თავიანთი „იძულებით ჩამოცილების" პროექტი. ტრუდოვიკები აგრ. საკითხში იმავე პოზიციას ადგნენ, როგორსაც I სათათბიროში. სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ მიწის მუნიციპალიზაციის პროექტი წარადგინა, ბოლშევიკები კი მთელი მიწის ნაციონალიზაციის პროგრამას იცავდნენ. სოციალ-დემოკრატების ფრაქციაში მენშევიკების უმრავლესობა გავიდა. ფრაქციის 54 დეპუტატს შორის 36 მენშევიკი და 18 ბოლშევიკი იყო. ეს აიხსნებოდა იმით, რომ მენშევიკთა უმრავლესობა, მ. შ. კავკ. ჯგუფი, ფრაქციის ლიდერის ი. წერეთლის წინამძღოლობით, სათათბიროში წერილი ბურჟ. ხმებით გავიდა. მენშევიკებისა და ბოლშევიკების ეს ბრძოლა რსდმპ V (ლონდონის) ყრილობაზე გაგრძელდა და ბოლშევიკური პლატფორმის გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ ცარიზმმა სოციალ-დემოკრატებს ბრალი დასდო სამხ. შეთქმულებაში, 3 ივნ. დაატყვევა ისინი და სასამართლოს გადასცა. იმავე დღეს II ს. ს. დაშლილად გამოცხადდა და გამოქვეყნდა ახ. საარჩევნო კანონი. III ს. ს. შედგა 1907 წ. 1 ნოემბ.—1912 წ. 9 ივნ. (5 სესია). 3 ივნ. კანონმა რადიკალურად შეცვალა ამომრჩეველთა შემადგენლობა მემამულეთა და მსხვილი ბურჟ. სასარგებლოდ. 442 დეპუტატიდან 50 მემარჯვენე იყო, 97 — ზომიერი და ნაციონალისტი, 154— ოქტიაბრისტი, 28—პროგრესისტი, 54 — კადეტი, 8— კაცი მუსლიმანთა ჯგუფიდან, 7 — ლიტვა-ბელორუსიიდან, 11 კაცი — პოლონელთა ჯგუფიდან, 14 — ტრუდოვიკი, 19 — სოციალ-დემოკრატი (თავ-რე — ოქტიაბრისტი ნ. ხომიაკოვი. 1910-იდან — ა. გუჩკოვი, 1911-იდან — მ. როძიანკო). რეაქციის წლებმა და ს. ს-ს შემადგენლობის მემარჯვენე მიმართულებამ განაპირობა III ს. ს-ს საქმიანობის ხასიათი, მან ვერ განახორციელა პოლიტ. და ადმ. რეფორმების ის მინიმუმი მაინც, რაც საჭირო იყო ცარიზმის გადასვლისათვის ბურჟ. მონარქიის რელსებზე. III ს. ს-ს კრიზისი მისი მოწვევისთანავე დაიწყო II სესიიდან სავრძნობლად გააქტიურდა ს.-დ. ფრაქციის ბოლშევიკური ნაწილი ვ. ი. ლენინის მეთაურობით. იგი წერდა: „თვითმპყრობელობამ ასეთი სათათბიროს შექმნა რომ მოასწრო, დროებით გადასდო თავისი დალუპვის ვადა, მაგრამ ამით იგი კი არ მაგრდება, ,რამედ ირღვევა" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 474—475).

IV ს. ს. მიმდინარეობდა 1912 წ. 15 ნოემბ.-1917 წ. 6 (19) ოქტ. (5 სესია). მისი საქმიანობა წარიმართა რევ. აღმავლობის, 1914—18 წწ. I მსოფლიო ომისა და რევ. კრიზისის პირობებში, რასაც შედეგად მოჰყვა ცარიზმის დამხობა. 442 დეპუტატიდან 120 ნაციონალისტი და ზომიერი მემარჯვენე იყო, 98 — ოქტიაბრისტი, 65 — მემარჯვენე, 59—კადეტი, 48—პროგრესისტი, 21—დეპ.-ნაციონალური ჯგუფებიდან. 14 — სოციალ-დემოკრატი, 10— ტრუდოვიკი, 7 — უპარტიო (თავ-რე ოქტიაბრისტი მ. როძიანკო). ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ბოლშევიკური საარჩევნო პროგრამა განმარტავდა რეფორმების უიმედობას და უახლოეს მიზნად ისახავდა ცარიზმის დამხობას და დემოკრ. რესპ. დამყარებას პროლეტარიატისა და გლეხობის ძალებით. IV ს. ს-ში თანდათან გამოიკვეთა ბურჟუაზიის ოპოზიცია ცარიზმისადმი, რაც ს. ს-ში „პროგრესული ბლოკის" ჩამოყალიბებით გამოიხატა. მიუხედავად ამ ბლოკის ზომიერი ლიბერ. მოთხოვნებისა, ცარიზმმა კვლავ უარყო იგი 1917 თებ. რევ. დროს, 27 თებ. შეიქმნა ს. ს-ს დროებითი კომიტეტი, რ-მაც პეტროგრ. საბჭოს ესერულ-მენშევიკურ აღმასკომთან ერთად ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა. მხოლოდ 1917 წ. 6 (19) ოქტ. რევ. მასების გავლენით გამოაცხადა დროებითმა მთავრობამ ს. ს. დაშლილად. საბოლოოდ კი იგი 1917 ოქტ. რევ. შემდეგ გაუქმდა.

ლიტ.: Государственная Дума в России. Сб. документов и материалов, сост. Ф. Н. Калинычев, М., 1957. *დ. პაიჭაძე.*

სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი, სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა, ბოლშევიკების ტაქტიკური ლოზუნგი, რ-იც მოუწოდებდა ე. წ. *ბულიგინის სათათბიროს* (1905) და I სახელმწ. სათათბიროს (1906) აქტ. პოლიტ. ბოიკოტისაკენ. ბულიგინის სათათბიროს მოწვევა, ვ. ი. ლენინის თქმით, იყო კონსტიტუციური მისატყუებელი. „ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის ლოზუნგი იყო სწორედ ლოზუნგი ბრძოლისა უშუალო რევოლუციური ბრძოლის გზის სასარგებლოდ კონსტიტუციურ-მონარქისტული გზის წინააღმდეგ" (ლენინი ვ. ი., თხზ.,გამოც. მე-4, ტ. 13, გვ. 6—7). აქტიური ბოიკოტის ლოზუნგს მხარი დაუჭირა რუს. თითქმის მთელმა სოციალ-დემოკრატიამ, მას მიემხრნენ აგრეთვე ესერები და „კავშირთა კავშირი" — ბურჟ. ლიბერალიზმის მარცხ. ფლანგი. მხოლოდ მენშევიკები გამოვიდნენ ამ ლოზუნგის წინააღმდეგ. ბულიგინის სათათბიროს აქტ. ლოზუნგმა გამართლება პოვა. თვითმპყრობელობამ ვერ შეძლო არჩევნების ჩატარება. სათათბირო რევოლუციამ წალეკა. ბოიკოტმა დიდი გავლენა მოახდინა მასების რევ. შეგნებულობის ჩამოყალიბებაზე. „მან ხალხის მასებს მისცა სათათბიროს პროლეტარული შეფასება ცოცხალი კონკრეტული ფორმით, როგორც ისეთი დაწესებულებისა, რომელიც უმწეოა გადაწყვიტოს ძირითადი საკითხები" (იქვე, ტ. 11, გვ. 314). ბოლშევიკებმა გააგრძელეს ბოიკოტის ტაქტიკა I სახელმწ. სათათბიროს მოწვევის დროსაც. მაგრამ პოლიტ. მდგომარეობა შეიცვალა, რევ. მოძრაობა შესუსტდა. სათათბიროს ბოიკოტს უკვე აღარ ჰქონდა ის ძალა, როგორიც რევ. აღმავლობის პერიოდში. სათათბიროს არჩევნების ჩაშლა არ მოხერხდა. ამ პირობებში ს. ს. ბ., როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იყო „შეცდომა, თუმცა მცირე, ადვილად გამოსასწორებელი" (იქვე ტ. 31, გვ. 24). ბოლშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს II სახელმწ. სათათბიროს არჩევნებში იმ მიზნით, რომ სათათბიროს ტრიბუნა აგიტაციისათვის გამოეყენებინათ. როცა III სათათბიროს არჩევნებისას ოტზოვისტების ოპორტუნისტულმა ჯგუფმა მოითხოვა ბოიკოტის ტაქტიკას დაბრუნებოდნენ, ვ. ი. ლენინი მათ წინააღმდეგ გამოვიდა.

1920 ვ. ი. ლენინმა დადებითად შეაფასა ბოლშევიკების მიერ 1905 „პარლამენტისათვის" ბოიკოტის გამოცხადების ტაქტიკა.

ლიტ.: სკკპ ყრილობების, კონფერენციებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, გამოც. მე-7, ნაწ. 1, თბ., 1954.

სახელმწიფო საიდუმლოება, სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ცნობები, რ-თაც განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ. ს. ს-ს სახელმწიფო სპეციალურად იცავს. სსრკ-ში ს. ს-ის შემცველ ცნობათა ნუსხას ადგენს სსრკ მინისტრთა საბჭო, რ-იც ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის საგარეო უშიშროების, თავდაცვისუნარიანობისა და ეკონ. სიძლიერის ინტერესებით. ს. ს-ის დაცვა ევალება ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც იგი ცნობილია. ს. ს-ის გახმაურების ან ს. ს-ის შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის კანონით დაწესებულია სისხლის სამართ. პასუხისმგებლობა (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მმ. 76, 77). სამხ. საიდუმლოების გახმაურების ან სამხ. საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობას კი ითვალისწინებს მ. 277; ს. ს-ის გახმაურება შეიძლება როგორც რაიმე მოქმედებით (მაგ., როცა პირი მოუყვება სხვას სამხ. ობიექტების ადგილმდებარეობის შესახებ), ისე უმოქმედობით (მაგ., როცა მაგიდაზე დარჩენილ საიდუმლო დოკუმენტს ვინმე სხვა გაეცნობა). პასუხისგებაში მიეცემა პირი, თუ დანაშაული ჩადენილია *განზრახვით* ან *გაუფრთხილებლობით.*

სახელმწიფო საკუთრება, იხ. *სოციალისტური საკუთრება.*

სახელმწიფო სამართალი, სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რ-იც განამტკიცებს ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესწყობილებას.

საბჭ. ს. ს. სოციალ. სამართ. ერთ-ერთი

დარგია, რ-საც ზოგჯერ კონსტ. სამართალს უწოდებენ. იგი ჰირველყოფილისა წარმოგვიდგება, როგორც საბჭ. სახელმწიფოს კონსტ. ნორმათა ერთობლიობა. ეს ნიშნავს, რომ მის ფარგლებში მუშავდება სოციალ. სამართ. სხვა დარგთა ფუძემდებლური პრინციპებიც. ამ გაგებით ს. ს. არის წამყვანი დარგი სოციალ. სამართ. სისტემაში.

ს. ს-ის ნორმათა სისტემაში, გარდა კონსტ. ნორმებისა, შედის აგრეთვე სხვა სათანადო ნორმებიც, რ-ებსაც შეიცავს სსრკ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, კანონი დეპუტატთა სტატუსის შესახებ და სხვა კანონები, მმართველობის აქტები და ა. შ. საბჭ. ს. ს. არეგულირებს საბჭ. საზ. წესწყობილებას, სსრკ მოქალაქეთა ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, ეროვნ.-სახელმწ. წყობილებას, საბჭ. საერთო-სახ. სახელმწ. ორგანოთა სისტემას, მათ ფუნქციებს, ურთიერთდამოკიდებულებას; განამტკიცებს საბჭ. ხალხისა და სახელმწ. სუვერენიტეტს, ერების სუვერენულობას, წარმომადგენლობითი ორგანოების სრულძალაუფლებიანობას, განვითარებული სოციალიზმის პოლიტ. და ეკონ. სისტემებს, სკკპ ხელმძღვანელ როლს საზ-ბასა და სახელმწიფოში (სსრკ კონსტ. მ. 6), სოციალ. დემოკრატიზმის პრინციპებს, საბჭ. საარჩევნო სისტემას.

საბჭ. ს. ს-ის სუბიექტებს, სამართ. ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შეადგენენ საბჭ. ხალხი, ერები და ეროვნებები, სსრკ, მოკავშირე სს რესპუბლიკები და ავტონ. ერთეულები (ასსრ-ები, ავტონ. ოლქები და ავტონ. ოკრუგები); სახელმწიფოს ორგანოები, წარმომადგენლობით ორგანოთა დეპუტატები; მოქალაქენი; საზ. ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

ს. ს-ის წყაროებია სსრკ კონსტიტუცია, მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების კონსტიტუციები, მიმდინარე სახელმწ.-სამართ. კანონმდებლობა, სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაციები, მიმართვები და განცხადებები, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებები, მინისტრთა საბჭოების დადგენილებები, შესაბამის ორგანოთა დებულებები, წესდებები და სხვ. აქტები, პარტ., პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახელმწ. ორგანოთა ერთობლივი დადგენილებანი.

სსრკ ს. ს., როგორც მეცნიერება, საბჭ. სამართალმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი უფრო ფართოა, ვიდრე ს. ს., როგორც საბჭ. სოციალ. სამართ. დარგი (გარდა მოქმედი სახელმწ.-სამარო. ნორმებისა, იგი შეისწავლის იმ ნორმებსაც, რ-ებიც აღარ მოქმედებენ, აგრეთვე საბჭ. ფედერ. ისტორიას და სხვ.).

ლიტ.: Советское государственное право. М., 1953. *გ. ერემოვი.*

სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა სსრკ-ში, სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებათა სისტემა, რ-იც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების შესრულებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დამუშავებასა და წიაღის დაცვას. ს. ს.-ტ. ზ-ის უმაღლესი ორგანოა მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებაზე ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი (სსრკ სახსამთო-ტექზედამხედველობა).

ს. ს.-ტ. ზ-ის ორგანო აწესებს კონტროლს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებაზე ნახშირის, სამთამადნო, სამთოქიმ., არამადნეულ, ნავთობ- და აირმომპოვებელ, ქიმ., მეტალ. და ნავთობაირდასამუშავებელ მრეწველობაში, გეოლ.-სადაზვერვო ექსპედიციებსა და პარტიებში, საქვაბე დანადგარების, ორთქლისა და ცხელი წყლის მილსადენების, ამწეები ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს, მრეწველობაში ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოებისას და სხვ. სსრკ ს. ს.-ტ. ზ-ის ორგანო თვალყურს ადევნებს აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ექსპლუატაციის სისწორესა და წიაღის დაცვას.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მოგებიანი სესხი, იხ. სტ. *სახელმწიფო სესხი.*

სახელმწიფო სამსახური, სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მხარე, რ-იც მოიცავს სახელმწიფო ორგანოთა და ორგანიზაციათა პირადი შემადგენლობის ორგანიზაციასა და საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, აგრეთვე სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების პრაქტ. და უშუალო განხორციელებას. ს. ს. გულისხმობს თანამდებობათა განსაზღვრას, მათი დაკავების წესს, თანამდებობის პირთა შერჩევას, სამსახურებრივი საქმიანობის რეგულირებას და ა. შ. სსრკ-ში ს. ს. ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: ს. ს. შეუსაბამება ხალხის ნებას და ინტერესებს; იგი აგებულია *დემოკრატიული ცენტრალიზმის* საფუძველზე, იცავს ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას; ს. ს. გეგმიურია; ეყრდნობა სოციალ. *კანონიერებას* და *სახელმწიფო დისციპლინას*; ითვალისწინებს მოსამსახურეთა პასუხისმგებლობას. თანამედროვე პირობებში ს. ს-ს ასრულებენ პროფესიონალი მოსამსახურეები, რ-ებიც შეადგენენ სახელმწ. ორგანოთა მუდმივ ფასიან სამსახურებრივ აპარატს. სკკპ პროგრამაში ჩაწერილია, რომ სახელმწ. აპარატში მუშაობა პერსპექტივაში აღარ უნდა იყოს განსაკუთრებული პროფესია. ს. ს. ძირითადად რეგლამენტირებულია ადმ. სამართ. ნორმებით, მისი ცალკეული მხარეები მოწესრიგებულია აგრეთვე შრომის, საფინანსო სამართ. ნორმებით და სხვ.; ადმ.-სამართ. ნორმები არეგულირებენ ყველა სახის სამსახურებრივ ურთიერთობას როგორც საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, ისე ხელისუფლების, მმართველობის ორგანოებში. ასეთი ურთიერთობები სახელმწ. სამსახურებრივია, სადაც სახელმწ. აპარატი გამოდის სახელმწიფოს სახელით, ასრულებს მის ფუნქციებსა და ამოცანებს საზ. ცხოვრების ყველა სფეროში. ს. ს. შესაძლებელია არჩევით (აღმასკომში), დანიშვნით (მმართველობის მეტწილ ორგანოებში), კონკურსით, ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილებით.

ვ. ლორია.

სახელმწიფო სესხი, საკრედიტო ურთიერთობის ნაირსახეობა, რ-ის დროსაც სახელმწიფო გამოდის მსესხებლის ან კრედიტორის როლში. ჩვეულებრივ ს. ს. გამოდის ფულადი სახით, იშვიათად — ნატურით. ს. ს. არის მოკლევადიანი (ერთ წლამდე), საშ. ვადიანი (5 წლამდე) და გრძელვადიანი (5 წელზე მეტი). შემოსავლიანობის მიხედვით — პროცენტიანი და მოგებიანი, მოთაყვების მიხედვით — საშინაო და საგარეო. ს. ს-ის სოც. შინაარსსა და ფორმებს განსაზღვრავს საზ-ბის ეკონ. წყობილების ხასიათი.

კაპიტალიზმის პირობებში ს. ს. *სახელმწიფო კრედიტის* ფუნქციონირების ძირითადი ფორმაა. სახელმწიფო მისი საშუალებით შედარებით მოკლე დროში მსხვილი ფულადი რესურსების მობილიზაციას ახდენს. იმპერიალიზმის ეპოქაში ს. ს. გამოიყენება სახელმწ. ბიუჯეტის ქრონ. დეფიციტის დასაფარავად. სახელმწიფო უდიდესი კრედიტორია. საგარეო სესხის მიღებას მსესხებელი ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. დამორჩილება მოსდევს.

სოციალისტურ ქვეყნებში ს. ს-ის მიზანია დროებით თავისუფალი სახსრების სახით მოსახლ. შრომითი დანაზოგის მობილიზაცია სამეურნეო და კულტ. მშენებლობის მიზნით. საბჭ. სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში ს. ს. გამოდიოდა ფულადი და ნატურალური სახით. პირველი ფულადი ს. ს. აღებულ იქნა 1922; 1957-იდან სსრკ-მა უარი თქვა ხელმოწერით ს. ს-ის მოთავსებაზე. ამჟამად მისი მოთავსება ხდება 1982-ში გამომშვებული თავისუფლად მიმოქცევადი შინაგანმოგებიანი 3%-იანი სესხის ობლიგაციების მოსახლეობაში რეალიზაციის საშუალებით. ადრე აღებული სესხის დაფარვა გათვალისწინებულია 1990-თვის.

სოციალ. ბანაკის სხვა ქვეყნებში პირველი ს. ს. გამოვიდა II მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. 1956-ში ამ ქვეყნებმა უარი თქვეს შინაგანმოგებიანი ს. ს-ის გამოყენებაზე. სოციალ. ბანაკის ქვეყნების ს.-გარეო ს. ს. გამოხატავს ეკონ. თანამშრომლობის ახ. ტიპს და შეღავათიან ხასიათს ატარებს. *ნ. ბაგრატიონი.*

სახელმწიფო სკოლა რუსეთში, რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ძირითადი მიმართულება XIX ს. II ნახევარში. ს. ს-ის წარმომადგენლები ისტორიაში მთავარ ძალად მიიჩნევდნენ ზეკლასობრივ სახელმწიფოს, რ-იც თითქოს მთელი საზ-ბის ინტერესებს გამოხატავდა. ამაყე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმ. „იურიდიული სკოლაც“, რ-ის საფუძველს შეადგენდა ჰეგელის იდეალისტური ფილოს. რეაქციული მხარე. ს. *სოლოვიოვის* ისტ. სკოლისაგან განსხვავებით, ს. ს. ნიშნავდა ბურჟ.-ლიბერ. ისტორიოგრაფიის მიერ ისტ. კანონზომიერების იდეაზე უარის თქმას. მისმა ფუძემდებელმა ბ. ჩიჩერინმა XIX ს. 50-იან წლებში ჩამოაყალიბა ს. ს-ის ძირითადი დებულებები, რ-ებიც გაიზიარა კ. კაველინმა, ხოლო შემდეგ მას მიემხრნენ ვ. სერგეევიჩი და სხვ. XIX ს. დასასრულს ს. ს-ის დებულებებს იყენებდნენ მარქსიზმის იდეების დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლაში; ამის აშკარა გამოხატულებაა პ. *მილიუკოვის* შრომები. ს. ს-ის მიმდევარი ისტორიკოსები დაწვრილებით იკელევდნენ პოლიტ. ისტორიას, სახელმწ. დაწესებულებებისა და სამართლის ისტორიას, მაგრამ უარყოფდნენ მსოფლიო ისტ. პროცესის ერთიანობას. ს. ს-ის თეორია XX ს. დასაწყ. რუს. ბურჟ. ისტორიოგრაფიის იდეურ-მეთოდოლ. კრიზისს გამოხატავდა.

ლიტ.: Очерки истории исторической науки в СССР, т. 1—2, М., 1955—60; Рубинштейн Н. Л., Русская историография, М., 1941.

სახელმწიფოს მეთაური, პირი, რ-იც სათაოში უდგას სახელმწიფოს და წარმოადგენს მას საგარეო ურთიერთობებში. მონარქიულ სახელმწიფოებში ს. მ-ია მონარქი (მაგ., იმპერატორი, მეფე, დიდი ჰერცოგი), ბურჟ. რესპუბლიკებში — არჩეული პრეზიდენტი. ზოგ ქვეყანაში (მაგ. აშშ-ში) ს. მ. ამავე დროს მთავრობის მეთაურიცაა. ჩვეულებრივ, ს. მ-ს ფართო უფლებამოსილება ენიჭება. როგორც წესი, იგი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, აქვს *საკანონმდებლო ინიციატივის*, დეკრეტებისა და ბრძანებულებების გამოცემის უფლება, შეუძლია *ვეტო* დაადოს პარლამენტის კანონებს და სხვ.

უმრავლეს სოციალ. სახელმწიფოში ს. მ-ის ფუნქციას ასრულებს უმაღლესი წარმომადგენლობითი დაწესებულების (პრეზიდიუმის, სახელმწ. საბჭოს) კოლეგიური ორგანო. ზოგ სოციალ. ქვეყანაში კი გათვალისწინებულია ერთპიროვნული ს. მ-ის თანამდებობა (მაგ., ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში).

„სახელმწიფო სოციალიზმი“, ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და ოპორტუნისტული კონცეფცია, რ-შიც სოციალიზმის არსი და წყარო დაყვანილია ეკონომიკასა და სოციალურ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევამდე; აღმოცენდა როგორც „სოციალიზმის“ ბურჟ. ფალსიფიკაცია, რ-იც სოციალიზმად მიიჩნევდა სახელმწიფოს მიერ თავისუფალი კონკურენციის

შეზღუდვის ცდებს, მეორე მხრივ, იგი იყო უტოპიური სოციალიზმის იმ წარმომადგენელთა წვრილბურჟ. ილუზიის ნაყოფი, რ-ებიც მთავრობისა და გაბატონებული კლასებისაგან ელოდნენ სოციალიზმის „შემოტანას". „ს. ს-ის" კონცეფცია წამოაყენეს ლ. ბლანმა (საფრანგეთი), კ. როდბერტუს-იაგეცოვმა, ფ. ლასალმა (გერმანია). ისინი ბურჟუაზიას სოციალიზმის შემოქმედად მიიჩნევდნენ. „ს. ს-ის" ცნებას იყენებენ *„დემოკრატიული სოციალიზმის"* თეორეტიკოსები. „ს. ს-ის" „მემარცხენე" ნაირსახეობაა ე. წ. „საბჭედრო-ყაზარმული" სოციალიზმი, რ-ის თანახმად, შრომის სოციალ. ორგანიზაციის ერთადერთი წყაროა ხელისუფლება, „ზემოდან" ბრძანების შესრულება. „ს. ს-ის" კონცეფციის კრიტიკა მოცემულია კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის შრომებში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სახელმწიფო საკუთრების ზრდას ბურჟ. სახელმწიფოშიც კი ეკონ. პროგრესად მიიჩნევენ. მაგრამ ყალბ სოციალიზმად თვლიან წარმოების საშუალებების ყოველ გასახელმწიფოებრიობას. „თაშბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია რომ სოციალისტური ღონისძიება ყოფილიყო, ნაპოლეონი და მეტერნიხი სოციალიზმის პირველი დამფუძნებლები იქნებოდნენო" წერდა ფ. ენგელსი (ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 235). „ს. ს-ის" ზოგიერთ იდეას იზიარებდა *ფაბიანელთა საზოგადოება* დიდ ბრიტანეთში. ამ კონცეფციას ფართოდ იყენებენ *სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის* აპოლოგოტები.

ჯ. კახნაშვილი.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, იხ. *სოციალური დაზღვევა.*

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, იხ. *საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.*

სახელმწიფო სტანდარტი, სსრკ-ში *სტანდარტიზაციის* სახელმწიფო სისტემით დადგენილი სტანდარტების ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია. ს. ს-ის გამოყენება სავალდებულოა სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახ. მეურნ. ყველა დარგის საკავშ., რესპ. და ადგილ. დაქვემდებარების ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის. ს. ს. სტანდარტების სხვა კატეგორიებისაგან გამოირჩევა გავრცელების არით, მამტკიცებელი ინსტანციებითა და სტანდარტიზაციის სახელმწ. მნიშვნელობის მქონე ობიექტებით.

სახელმწიფო უშიშროება, სახელმწიფო უშიშროების დაცვა, მტრული სახელმწიფოების დაზვერვის და სხვა სპეციალური სამსახურის ძირგამომთხრელი საქმიანობისაგან, აგრეთვე არსებული წესწყობილების შინასახელმწიფოებრივი მოწინააღმდეგეებისაგან ქვეყნის სახელმწ. და საზ. წესწყობილების, სახელმწიფოს ტერიტ. ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვის ღონისძიებათა ერთობლიობა.

საბჭ. სახელმწიფოს ს. უ-ის დაცვის ამოცანა მისი შექმნისთანავე წამოიჭრა. პირველი ასეთი ორგანო იყო *სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები.* 1917 დეკ. ჩამოყალიბდა რევ. მონაპოვართა დაცვის სპეც. ორგანო — *სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია,* რ-მაც დიდი როლი ითამაშა საბჭ. ხელისუფლების საწინააღმდეგო შეთქმულებათა და ამბოხებათა აღკვეთის, საბოტაჟთან, სპეკულაციასა და თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის (1918—20) დამთავრების შემდეგ ვ. ი. ლენინმა წამოაყენა წინადადება ამ ორგანოს რეორგანიზაციის, კომპეტენციის შეზღუდვის, სასამართლოს გარეშე დათრგუნვის უფლების გაუქმების შესახებ. 1922 რსფსრ შინსახკომთან შეიქმნა სახელმწ. პოლიტ. სამმართველო. სსრკ-ის შექმნის შემდეგ (1922). ამ დარგში მოკავშირე რესპუბლიკების ღონისძიებათა გაერთიანების მიზნით, 1923 სსრკ სახკომსაბჭოსთან ჩამოყალიბდა გაერთ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველო, რ-საც დაექვემდებარა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები. სსრკ-ში ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციის, სოციალიზმის საფუძვლების აგების კვალობაზე ს. უ-ის ორგანოების საქმიანობის მთავარ ამოცანად იქცა გარეშე მოწინააღმდეგეებთან, კერძოდ, უცხოური დაზვერვის წინააღმდეგ ბრძოლა. 1934 შეიქმნა შინაგან საქმეთა სახკავშ.-რესპ. სახ. კომისარიატი, რ-ის სისტემაშიც შევიდა სახელმწ. უშიშროების მთავარი სამმართველო. 1941 შეიქმნა 2 დამოუკიდებელი ორგანო: სსრკ შინსახკომი და სსრკ ს. უ-ის სახ. კომისარიატი, რ-ებიც ომის დაწყებისას ერთიან სახ. კომისარიატად — სსრკ შინსახკომად გაერთიანდა. ს. უ-ის ორგანოთა საქმიანობა მიმართული იყო ფრონტზე გერმ. ფაშისტური დაზვერვის ძირგამომთხრელი მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, სსრკ ზურგის რ-ებში მტრის აგენტების გამოვლენისა და ლიკვიდაციისაკენ, მტრის ზურგში სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის ჩატარებისაკენ. 1943 კვლავ შეიქმნა სსრკ ს. უ-ის დამოუკიდებელი სახ. კომისარიატი (1946-იდან — სამინისტრო). პიროვნების კულტის პირობებში ს. უ-ის ორგანოების საქმიანობაში დაშვებული იყო სოციალ. კანონიერების პრინციპების სერიოზული დარღვევები. სკკპ ცკ-ის ივლ. (1953) პლენუმის, სკკპ XX ყრილობის (1956) გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გატარდა ს. უ-ის ორგანოების საქმიანობაში სოციალ. კანონიერების აღდგენის, მათი საქმიანობისადმი პარტ. და სახელმწ. კონტროლის გაძლიერების ღონისძიებანი. 1954 სსრკ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა ს. უ-ის კომიტეტი, რ-საც 1978 სსრკ ს. უ-ის კომიტეტი ეწოდა. იგი სათავეში უდგას ს. უ-ის ორგანოთა სისტემას სსრკ-ში (არსებობს აგრეთვე მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების ს. უ-ის კომიტეტები).

საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში ს. უ-ის ორგანოები თავიანთ საქმიანობას იმავე პრინციპების საფუძველზე ახორციელებენ, როგორც სსრკ-ში.

ბურჟ. სახელმწიფოების ს. უ-ის ორგანიზაციის მთელი სისტემისათვის დამახასიათებელია საგარეო და საშინაო უშიშროების ცნების უკიდურესად გაფართოებისაკენ მისწრაფება. მაგ., აშშ და მთელი რიგი სხვა იმპერიალ. სახელმწიფოების მმართველი წრეები, რ-ებმაც ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალ. ქვეყნებისა და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის წინააღმდეგ სახელმწ. პოლიტიკის რანგში აიყვანეს, თავისი „ეროვნული უშიშროების" საფრთხეს ეძებენ მთელ მსოფლიოში. ბურჟ. ქვეყნების ს. უ-ის დაცვა ხორციელდება სხვადასხვა ორგანოს მეშვეობით, უპირველეს ყოვლისა, სპეც. ორგანოებით საგარეო დაზვერვით, შინაგანი დაზვერვითა და კონტრდაზვერვით. ს. უ-ის ცნობილი ორგანოებია, მაგ., აშშ-ში ცენტრ. სადაზვერვო სამმართველო, აგრეთვე გამოძიების ფედერალური ბიურო, ინგლისში — თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო ორგანო „სიკრიტ ინტელიჯენს სერვისი" და სხვ. იმპერიალ. სახელმწიფოების დაზვერვათა კოორდინაცია ხორციელდება აგრესიული ბლოკების (მაგ., *ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია* — ნატო) გაერთ. სადაზვერვო ორგანოების ფარგლებში, აგრეთვე ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე.

სახელმწიფო ფინანსები, ფულადი ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების სისტემა, რ-იც ემსახურება სახელმწიფოს არსებობისა და საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფას. ს. ფ-ის არსი, მათი როლი საზ. ცხოვრებაში გაპირობებულია გაბატონებული წარმოების წესით და სახელმწიფოს კლასობრივი ბუნებით.

სსრკ-ის ს. ფ-ის სისტემა შეიცავს საერთო-სახელმწიფოებრივ ფინანსებს (სახელმწ. ბიუჯეტი, სახელმწ. ქონებრივი, პირადი, სოც. დაზღვევა) და სახელმწ. საწარმოთა და მეურნეობის დარგთა ფინანსებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი, შემოსავალი, რ-იც გამოიყენება სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებლად. ს. ფ-ის სოც.-ეკონ. არსი, სტრუქტურა, როლი, ფორმირებისა და გამოყენების პრინციპები განისაზღვრება საზოგადოების ეკონ. წყობილებით. ს. ფ. დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან კაპიტალიზმის დროს. მისი ძირითადი წყაროა გადასახადი. კაპიტალ. ქვეყნებში იგი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონ. სახელმწიფო *კორპორაციების* შემოსავალს, აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდებს (სოც. დაზღვევის ფონდი და სხვ.).

სოციალიზმის დროს ს. ფ. *ეროვნული შემოსავლის* ნაწილია, რ-იც თავმოყრილია სახელმწ. ბიუჯეტსა (ცენტრალიზებული ფონდი) და სახელმწ. საწარმოებში, გაერთიანებებში (დეცენტრალიზებული ფონდი). იგი გათვალისწინებულია სოციალ. გაფართოებული კვლავწარმოების მთთხოვნილებათა უზრუნველყოფის, დაფინანსებისა და სხვა სახელმწ. ხარჯის დასაფარავად. 1966-იდან საბჭ. კავშირში სამეურნეო რეფორმის გატარებამ გამოიწვია ს. ფ-ის სისტემის გარდაქმნა. სსრკ-ში ს. ფ-ის ძირითადი სახეებია: *მოგების აწარიცხები, ბრუნვის გადასახადი, საშემოსაელო გადასახადი* და სხვ.

ს. ფ-ის სისტემაში შემოსავალი სოციალ. მეურნეობიდან შეადგენს ბიუჯეტური რესურსების 90%-ზე მეტს.

ნ. ბერძენაძე.

სახელმწიფო შრომითი რეზერვები სსრკ კავშირსა, ქალაქის და სოფლის ახალგაზრდებისაგან მუშათა ახალი კადრების ორგანიზებულად მომზადების სისტემა, რ-იც მოწოდებული იყო სახალხო მეურნეობის დარგებისათვის შეექმნა საჭირო შრომითი რეზერვები.

1940 წ. 2 ოქტ. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „სსრკ სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ". შეიქმნა 3 ტიპის სასწავლებლები: 1. 2-წლიანი *სახელოსნო სასწავლებელი.* 2. 2-წლიანი სარკინიგზო ტრანსპორტის სასწავლებლები და 6-თვიანი საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლები. ამ სასწავლებლების მოსწავლეებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში შრომითს ვახტზე.

50-იან წლებში საყოველთაო საშ. განათლებაზე თანდათანობით გადასვლასთან დაკავშირებით შეიქმნა 1—2-წლიანი ტექ. სასწავლებლები საშ. სკოლადამთავრებულთათვის. 1959 სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის ყველა სასწავლებელი პროფტექ. სასწავლებლად გადაკეთდა, ხოლო შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო სსრკ მინისტრთა საბჭოს პროფტექ. განათლების სახელმწ. კომიტეტად გარდაიქმნა. ანალოგიური კომიტეტები მოქმედებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. 1984 სსრკ-ში სასკოლო რეფორმით პროფტექ. სასწავლებლის ყველა ტიპი (საქალაქო, სოფლის, ტექ.) გადაკეთდა ერთ ტიპად: საშ. პროფტექ. სასწავლებლად.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები, იხ. *შემნახველი სალაროები.*

სახელმწიფო ცენტრალური ფინანსური შემოსავალი, იხ. *წმინდა შემოსავალი.*

სახელმწიფო ხარისხის ნიშანი სსრკ კავშირში, სახალხო მოხმარების საქონელსა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მაღალი ხარისხის პროდუქციის ნიშანი (1967-იდან); ნიშანდება ხდება უშუალოდ საქონელზე ან ტარაზე, იარლიყებსა და ეთიკეტებზე. ს. ხ. ნ-ის ტარების უფლებას სწარმოებს 2—3 წლის ვადით აძლევენ სამინისტროები (უწყებე-

ბი) საწარმოების მიერ გამოშვებული სამრეწვ. პროდუქციის ზარისხის სახელმწ. ატესტაციის შედეგების საფუძველზე.

სახელმწიფო ხარჯები, საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებით განპირობებული ხარჯები, რ-ებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებასთან. ს. ხ. და სახელმწ. ბიუჯეტის ხარჯები ერთი და იგივე არ არის, რადგან პირველი მოიცავს სახელმწ. საწარმოების ხარჯებსაც (მათი საკუთარი წყაროების ხარჯზე). კაპიტალიზმის დროს ს. ხ. მეტწილად გამოიყენება ეკონ. მილიტარიზაციისათვის და მართვის აპარატის შესანახად. ს. ხ-ის ნაწილი კაპიტალ. ქვეყნებში ხმარდება ე. წ. სოც.-კულტ. ღონისძიებებსაც.

სოციალიზმის დროს ს. ხ-ს მთლიანად იყენებენ მშრომელთა ინტერესებისათვის, იგი მოიცავს სახელმწ. ბიუჯეტის, სახელმწ. საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯებს.

თავისი ეკონ. შინაარსისა და ეროვნ. შემოსავლის შექმნაში როლის მიხედვით ს. ხ. იყოფა წარმოებითი სფეროსა და არაწარმოებითი სფეროს ხარჯებად.

სოციალ. ქვეყნებში ს. ხ. ხმარდება იმ წამყვანი ეკონ. დარგების დაფინანსებას, რ-ებიც განსაზღვრავენ მეცნ.-ტექ. პროგრესის ტემპებს და მიმართულებებს (იხ. აგრეთვე *ბიუჯეტი სახელმწიფო*).

სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ (1955), ხელშეკრულება ოთხ დიდ სახელმწიფოსა (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) და ავსტრიას შორის, რ-იც განთავისუფლდა ფაშისტური გერმანიისაგან 1945 მარტში—მაისის დასაწყისში. დაიდო 1955 წ. 15 მაისს ვენაში. დას. სახელმწიფოები აჭიანურებდნენ ავსტრიის საკითხის გადაწყვეტას, ცდილობდნენ დას. ავსტრ. ტერიტ. გადაქცევას ნატოს პლაცდარმად. 1955 წ. 12—15 აპრ. მოსკოვში,,საბჭ. მთავრობის ინიციატივით ჩატარდა საბჭოთა კავშირ.-ავსტრიის მოლაპარაკება. მიაღწიეს თანხმობას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. ავსტრიამ იკისრა მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარება. აღდგა ავსტრ. სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა 1938 წ. 1 იანვ. საზღვრებში. ხელშეკრულების მუხლები კრძალავენ ავსტრიის ანშლიუსს (შეერთებას) გერმანიასთან, მასთან პოლიტ. და ეკონ. კავშირის დადებას. ხელშეკრულება აკისრებს ავსტრ. მთავრობას უზრუნველყოს დემოკრ. თავისუფლებანი, არ დაუშვას ნაცისტური და ფაშისტური ორგანიზაციების მოქმედება ქვეყანაში. ავსტრიას გადაეცა გერმ. ყოფილი აქტივები და შესაბამისი კომპენსაციით ყოფილი საბჭოთა საწარმოები აღმ. ავსტრიაში. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1955 წ. 27 იელისს. საოკუპაციო ჯარების გაყვანა 1955 წ. 25 ოქტ. დამთავრდა. 1955 წ. 26 ოქტ. ავსტრ. პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი ავსტრიის სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტის თაობაზე. ხელშეკრულებამ შექმნა აუცილებელი წანამძღვრები დამოუკიდებელი ავსტრიის სახელმწიფოს განვითარებისათვის. *ი. კობახიძე.*

სახელმწიფო ჰიმნი, პოეტური მუსიკალური ნაწარმოები, რ-იც *სახელმწიფო დროშასა* და *სახელმწიფო გერბთან* ერთად სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოს წარმოადგენს. ს. ჰ. აქვს ყველა თანამედროვე სახელმწიფოს. სსრკ მოქმედი ს. ჰ. (მუსიკა ა. ალექსანდროვისა, ტექსტი ს. მიხალკოვისა და გ. ელ-რეგისტანის) შემოღებულია 1944 ინტერნაციონალის ნაცვლად, რ-იც პარტიულ ჰიმნად იქცა. ჰიმნის ახ. რედაქცია დამტკიცდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წ. 27 მაისის ბრძანებულებით.

საქ. სსრ ს. ჰ. (მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა, ტექსტი ა. აბაშელისა და გ. აბაშიძისა) შემოღებულია 1946. ჰიმნის ახ. რედაქცია კი დამტკიცდა რესპ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წ. 14 აპრ. ბრძანებულებით (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, ჩანართი გვ. 8—9).

სახელო (სამართ. ისტ.), თანამდებობა ძვ. საქართველოში, *მოხელის* „გასაგებელი" (საბა). „საკელოი" „კელიდან" (იხ. სტ. *ხელი*) წარმოდგა. „სახელოთა სჯანი" ანუ მართვა-გამგეობის საქმეთა წარმართვა მეფის საზრუნავს შეადგენდა. გაერთიანების ხანის საქართველოში (ნაწილობრივ გვიანდ. ფეოდალურშიც) ცენტრ. სამოხელეო აპარატი დარგებად იყო დაყოფილი (იხ. სტატიები *ვეზირი, სავეზირო*). შემოშავდა ს-თა სიმბოლური ნიშნები, რ-თაც გადასცემდა მეფე უწყებათა მთავარ მოხელეებს (მაგ., ოქროს ლომისთავიან არგანსა და ხმალს — *ამირსპასალარს*, „თვალედ" ბეჭედს — *მოლარეთუხუცესს*). *დასტურლამალით* განსაზღვრულია ს-ების განაწესი, მათი „წესითა შემსგავსებითა" გამგებლობა. დიდი ს-ები მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ (ხშირად ერთ კაცს რამდენიმე ს. ეკავა). ს. მოხელის შემოსავლის ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, მის ერთგვარ საკუთრებად იყო მიჩნეული და ზოგჯერ კიდეც იყიდებოდა. ჩვეულებრივ ს. მემკვიდრეობით გადადიოდა, რასაც *აჯის* საფუძველზე მეფე წყალობა-ბოძების სპეც. აქტით განამტკიცებდა. „სახელოს გაცემის" საბუთს მეფეს *სახლთუხუცესი* წარუდგენდა. დაკანონებული იყო ს-ს „*სისხლი*"— მოხელის დაჭრისა და მკვლელობის საგანგებო საზღაური. საფეოდალოებში სახელმწიფოსაგან განკერძოებული ს-ები არსებობდა.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—6, თბ., 1963—1977.

ლიტ.: სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 1—2, ტფ., 1928—29. *ი. ფუტკარაძე.*


სახელობითი ძალალდი, იხ. სტ. *ფასიანი ქაღალდი.*


სახელოსნო სასწავლებლები სსრკ კავშირში, პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებები. 1940-მდე არსებობდა საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების სახით, რ-ებიც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 2 ოქტ. ბრძანებულებით „სსრკ სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ" — გადაკეთდა ს. ს.-ად. ს. ს-ს დაეკისრა მაღალკვალიფიციური მუშების მომზადება სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგის რთულ პროფესიებში, აგრეთვე ს.ზღვ., სამდ., კავშირგაბმ. და სხვა დარგებში. მოსწავლეები სახელმწ. კმაყოფაზე იმყოფებიან. 1943 რუსეთში შეიქმნა სპეციალური ს. ს. 4-წლიანი სწავლების ვადით. აქ ობლად დარჩენილი ბავშვები იღებდნენ საწარმოო კვალიფიკაციასა და ზოგად განათლებას. (1959 ეს სკოლები გარდაიქმნა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად. იხ. *სახელმწიფო შრომითი რეზერვები* სსრ კავშირისა.

სახეობა, სახე (Species), ცოცხალი ორგანიზმების სისტემის ძირითადი სტრუქტურული ერთეული, მათი ევოლუციის თვისებრივი ეტაპი, ცოცხალი ბუნების (ცხოველთა, მცენარეთა, მიკროორგანიზმთა) ძირითადი ტაქსონომიური ერთეული. ს-ებია ბუნებრივი *პოპულაციების* ჯგუფები, რ-ებიც ეჯვარებიან ერთმანეთს და რეპროდუქციულად იზოლირებული არიან (იხ. *გენოფონდი*) სხვა ასეთივე ჯგუფისაგან. ყოველი ცხოველური, თუ მცენარეული ორგანიზმი განეკუთვნება გარკვეულ ს-ს. ისეთ ორგანიზმებში, რ-ებიც სქესობრივი, ჯვარედინი განაყოფიერებით მრავლდებიან (თითქმის ყველა ცხოველი, მცენარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი და მთელი რიგი მიკროორგანიზმები), ს. წარმოადგენს ცალკეულ ინდივიდთა ერთობლიობას, რ-საც ნაყოფიერი თაობის მოცემის უნარი აქვს (შეჯვარების გზით) და ამის შედეგად იძლევა ადგილობრივ ფორმებს შორის გარდამავალ ჰიბრიდულ პოპულაციებს, რ-ებიც დასახლებულია გარკვეულ არეალში (ტერიტ., აკვატორია), და აქვს მთელი რიგი საერთო მორფოლ.-ფიზიოლ. ნიშნები და ტიპები ანტიოტურ და ბიოტურ გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულებისა. სხვადასხვა ს-ის პოპულაციები რეპროდუქციულად იზოლირებულია. პრინციპული ხასიათის სიძნელეები იქმნება ობლიგატურ აგამურ (უსქესო), პართენოგენეზურ და თვითგამანაყოფიერებელ ფორმებში. განსაკუთრებით ძნელია თანამედროვე ს-ების ამომწყდარ ფორმებთან შედარება და ჰომოლოგიზაცია. ერთსა და იმავე დროს მცხოვრები ფორმების სივრცობრივი შედარება, როგორც ეს ამჟამად მცხოვრები ორგანიზმების შესწავლისას (ე. ი. ნეონტოლოგიაში) ხდება, პალეონტოლოგიაში სათანადო მასალის არასრულყოფილობის გამო, გაძნელებულია, ამიტომ, აქ „პალეონტოლოგიური ს-ის" ეკვივალენტური ცნების აღსანიშნავად იხმარება ტერმ. „ფრატრია" (ვ. გეპტნერი, 1958).

აღწერილ ს-თა სიმრავლის გამო უკვე XVII ს. ბოლოს საჭირო გახდა მათ სახელწოდებათა სტანდარტიზაცია და უფრო დიდ სისტემატიკურ ერთეულებში გაერთიანება. თანამედროვე მეცნ. სისტემატიკას საფუძველი ჩაუყარა დიდმა შვედმა ბუნებისმეტყველმა კარლ *ლინემ* ნაშრომში „ბუნების სისტემა" (1735). ს-თა აღსანიშნავად მან შემოიღო საერთაშ. (ლათ.) *ბინარული ნომენკლატურა*. აღსანიშნავია, რომ ქართულში თავიდანვე იხმარებოდა ტერმინი სახე (იხ. *იოანე ბატონიშვილის* „კალმასობა", ტ. 2, 1948), პარალელურად XX ს. 30-იანი წლებიდან იხმარება მისგან ნაწარმოები ტერმინი სახეობა.

XIX ს. I ნახევარში *ჟ. კიუვიემ* სისტემატიკაში შემოიღო უმაღლესი ტაქსონომიური ერთეული *ტიპი*. ამ დროისათვის დაიწყო ს-ის ცვალებადობის შესწავლა ცოცხალი ბუნების განვითარების პროცესში, რაც დაგვირგვინდა ჩ. დარვინის ევოლ. მოძღვრებით (იხ. *დარვინიზმი*). ამავე დროს შემოიღეს *ქვესახეობის* (სახესხვაობის) ცნება. აღწერილ ს-თა დიდი რაოდენობით დაგროვებამ (XX ს-თვის 2 მლნ-ს მიაღწია) გამოიწვია, ერთი მხრივ, ს-ის „დანაწევრება", რის შედეგადაც შემოღებულ იქნა „წვრილი" ს-ების — ჟორდანონების ცნება (ფრანგი ბოტანიკოსის ა. ჟორდანის გვარის მიხედვით) და, მეორე მხრივ, „გამსხვილება", რასაც მოჰყვა „მსხვილი" ს-ის — ლინეონების (კ. ლინეს გვარის მიხედვით) ცნების (ამ უკანასკნელში კიდევ არჩევენ მონოტიპურ და პოლიტიპურ ს-ებს) დამკვიდრება. ა. *სემიონოვ-ტიან-შანსკიმ* კი სხვადასხვა ქვესახეობრივი კატეგორიების განსასხვავებლად შემოიღო ტერმინები მორფა, *აბერაცია*. ს-ის თანამედროვე გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის სრულ რეპროდუქციულ იზოლაციას ბუნებრივ პირობებში (ხელოვნურ პირობებში ზოგ იზოლირებულ ს-ს ეფექტური შეჯვარების უნარი აქვს). ტერიტ. ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით ს-ები შეიძლება იყოს ალოპატრიული (უჭირავთ სხვადასხვა გამოცალკევებული, არაგადამფარავი არეალები) ან სიმპატრიული (უჭირავთ გადამფარავი ან ერთი საერთო არეალი), რაც დამოკიდებულია მათ წარმოშობასა და იზოლაციის ფორმაზე (ტერიტ., ბიოლ.). ჩვეულებრივ თითქმის ყველა ს. პოლიტიპურია. მეტად საინტერესოა ე. წ. ორეული ს-ები, რ-ებიც მორფოლოგიურად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ისინი გვხვდებიან მეზობელ გადამფარავ არეალებში და განსხვავება შეიმჩ-





სახეწი. ელექტრომექანიკური სახეწი: 1—ელექტროძრავა; 2—ურიკა; 3—რედუქტორი; 4—დრეკადი ლილვი; 5—მრუდმხარა; 6—სახეწი. სახეწები: ა—ბრტყელი შედგენილი; ბ—სამწახნაგა; გ—ნიჩბისებრი.

ნევა კარიოლოგიური ანალიზის ჩატარებისას. ვარაუდობენ, რომ ასეთი ს-ები წარმოიქმნებიან ბიოლ. იზოლაციის ერთ-ერთი ფორმის პირველადი წარმოქმნის შედეგად.

ლიტ.: ჟორდანია რ., სახე (ცნების გაგებისა და ტერმინის ბიოლოგიურ ასპექტში სწორად ხმარებისათვის), «თსუ შრომები», 1972, სერია B, ტ. 4 (143); *ტიმირიაზევი კ. ა.*, ჩარლზ დარვინი და მისი მოძღვრება, თბ., 1938; *Майр Э.*, Зоологический вид и эволюция, пер. с англ., М., 1968; *Мейер М. Н., Орлов В. Н., Скалон Е. Д.*, Виды-двойники в группе Microtus arvalis (Rodentia, Cricetidae), «Зоологический журнал», 1972; т. 51, в. 5; *Шварц С. С.*, Эволюционная экология животных, Свердловск, 1969, *Linnaeus C.*, Systema naturae, Leiden, 1735. *რ. ჟორდანია.*

სახეობათა წარმოშობა, ახალ სახეობათა წარმოქმნის პროცესი. ამ ტერმინით დარვინამდელ პერიოდში და დარვინის თეორიაშიც იგულისხმებოდა ევოლ. პროცესი. თანამედროვე გაგებით, ს. წ. გულისხმობს თავდაპირველად ერთგვაროვანი სახეობის დათიშვას რამდენიმე შვილეულ სახეობად. ს. წ-ზე დაკვირვება ბუნებაში ძალიან ძნელია, რადგან მისი ხანგრძლივობა ბევრად აღემატება ადამიანთა რამდენიმე თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობას, რის გამოც მის მექანიზმზე მხოლოდ თეორ. მსჯელობა შეიძლება, რადგან ნებისმიერი მასშტაბის ევოლუცია *პოპულაციის* ან სახეობის ადაპტიური გარდაქმნაა, ამიტომ ს. წ-ის პროცესი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადაპტიური რადიაციის პროცესი, ე. ი. პოპულაციების შეგუებითი ტრანსფორმაცია, რ-იც ხორციელდება ბუნებრივი გადარჩევით. ს. წ-ის წამყვანი და ერთადერთი მიმართული ფაქტორია *ბუნებრივი გადარჩევა*.

ს. წ. *მიკროევოლუციის* შედეგია, იგი იწყება სახეობის შიდა დონეზე *პოპულაციების* დიფერენცირებით, რ-ებიც შემდგომი დივერგენციის შედეგად დამოუკიდებელ სახეობებად გარდაიქმნებიან. სახეობის არეალში ელემენტარული ევოლ. ფაქტორების მოქმედების შედეგად სხვადასხვა პოპულაციაში ხდება ელემენტარული ევოლ. მოვლენა — პოპულაციის გენოტიპური შემადგენლობის მყარი ცვლილება. ფაქტორთა ხანგრძლივი მოქმედებისას ასეთი ცვლილებები შეიძლება დაგროვდეს პოპულაციებში, რის გამოც სულ უფრო დიდი განსხვავება წარმოიქმნება. პოპულაციებს შორის ასეთ დივერგენციას *ქვესახეობების* წარმოქმნა მოჰყვება, რაც ახ. სახეობის ფორმირების ეტაპს წარმოადგენს. იზოლაციის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად გენეტ. ინფორმაციის ნაკადი შეწყდება და ასეთი პოპულაციები ან ქვესახეობები ახ. სახეობებად გარდაიქმნებიან, ე. ი. გენეტიკურად ღია სისტემა გენეტიკურად ჩაკეტილ სისტემად იქცევა. ს. წ-ის თეორიას ხშირად მცდარი პოზიციებიდან იხილავდნენ. ბიოლოგთა სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები ავითარებდნენ ჰიპოთეზას სახეობების უეცარი, ნახტომისებრი წარმოქმნის შესახებ. ამჟამად განასხვავებენ ს. წ-ის ორ ძირითად გზას — ალოპატრიულსა და სიმპატრიულს.

ალოპატრიული ს. წ. ეწოდება სივრცობრივად იზოლირებულ პოპულაციათა დიფერენციაციას, რაც ისე შორს მიდის, რომ შემთხვევითი კონტაქტის დროს ინდივიდთა შორის თავისუფალი შეჯვარება (პანმიქსია) შეუძლებელია. ალოპატრიას თვლიან გეოგრ. რასებისა და სახეობების წარმოქმნის ყველაზე ბუნებრივ და გავრცელებულ გზად. მაგ., ასეთებია ს. წ. პალეარქტიკის დიდი თოლიების ქვესახეობათა ჯაჭვში, შროშანის გვარში, სიმპატრიული ს. წ., ახ. სახეობის დიფერენციაციის პროცესი ძვ. სახეობის არეალში. იგი მიმდინარეობს *პოლიპლოიდიის* (მაგ., ს. წ. ქრიზანთემის, კარტოფილის, ხორბლის გვარში), *ჰიბრიდიზაციის* (მაგ., კულტ. ქლიავი კვრინჩხისა და ალუჩის შეჯვარების შედეგად), რეპროდუქციული იზოლაციის (მაგ., ს. წ. დროზოფილას გვარში ქრომოსომთა სტრუქტურული ცვლილებების შედეგად), სეზონური იზოლაციის (მაგ., ხაიალას ადრე მოყვავილე და გვიან მოყვავილე ფორმები) საშუალებით. ს. წ. ბევრად უფრო სწრაფად ხდება სიმპატრიის შემთხვევაში. სიმპატრიული ს. წ. რთულდება იმით, რომ ახ. ფორმა შეჯვარების შედეგად შეიძლება გაითქვიფოს ძვ. სახეობაში. ს. წ-ში დიდ როლს თამაშობს იზოლაციის სხვადასხვა მექანიზმი, რაც იწვევს თავისუფალი შეჯვარების შეზღუდვას. ს. წ-ის პროცესი დედამიწაზე ორგ. ფორმათა მრავალგვარობის ზრდის მაგისტრ. გზაა (იხ. *ევოლუციური მოძღვრება, დარვინიზმი, იზოლაცია*).

ლიტ.: Дарвин Ч., Происхождение видов путем естественного отбора..., Соч., т. 3, М.—Л., 1939; *Майр Э.*, Популяции, виды и эволюция, М., 1974; *Тимофеев-Ресовский Н. В., Воронцов Н. Н., Яблоков А. В.*, Краткий очерк теории эволюции, 2 изд., М., 1977. *ი. ჭუჭულაშვილი.*

სახესხვაობა (varietas), ბოტანიკურ ნომენკლატურაში ინდივიდთა ჯგუფი ან პოპულაცია, რ-იც მოცემული სახეობის ტიპური ინდივიდებისაგან განსხვავდება მეორეხარისხოვანი მორფოლ. (შებუსვა, ზრდის ხასიათი, შეფერილობა და სხვ.) და ეკოტოპოლოგიური თავისებურებებით. გავრცელებულია სახეობის არეალის ფარგლებში. ს-ის წარმოშობა განპირობებულია სახეობის არსებობით სხვადასხვა ეკოლ. პირობებში. ს. *ქვესახეობაზე* დაბალი, მასზე დაქვემდებარებული ტაქსონომიური კატეგორიაა. ზოოლ. ნომენკლატურაში ს-ს შეესაბამება ვარიეტეტი.


სახეწი, *ლითონსაჭრელი იარაღი*, რ-საც იყენებენ დეტალის ზედაპირიდან ლითონის თხელი ფენის ასაჭრელად. ს-ს აქვს ლითონის ღეროს ფორმა და ბოლოზე მჭრელი წიბოები. მჭრელი ნაწილის ფორმის მიხედვით ს. არის ბრტყელი, სამწახნაგა და მოყვანილი; კონსტრუქციის მიხედვით — მთლიანი და ჩასადგმელი (მჭრელფირფიტებიანი). ხელის ს-თან ერთად იყენებენ პნევმ. ან ელექტრომექან. ხელის მანქანებს.

სახეწი ჩარხი, 1. ლითონდამუშავებაში, აბრაზიული იარაღით მომუშავე *ლითონსაჭრელი ჩარხი*, რ-საც იყენებენ უმეტესად სუფთა და ზუსტი ზედაპირების მისაღებად (არის საჩორტნი ს. წ-ებიც). განასხვავებენ მრგვალსახეს (ცენტრიანსა და უცენტროს), შიგსახეს, ბრტყლად სახეხსა და სპეციალიზებულ ს. წ-ებს. მთავარი მოძრაობა ს. წ-ში სახეხი ქარგოლის ბრუნვაა (ბრუნვის სიჩქარე ბევრად აღემატება წრიული მიწოდების მოძრაობის სიჩქარეს). მრგვალსახეხ ჩარხს უმეტესად იყენებენ ცილინდრული ზედაპირებისა და ტორსების სახეხად. ამ ჩარხების ცენტრებზე ან ვაზნაში დამაგრებული ნამზადი (ნახ. ა) ბრუნავს (წრიული მიწოდება) და მაგიდასთან ერთად ასრულებს უკუქცევით-წინსვლითს მოძრაობას (გრძივი მიწოდება). ყოველი (ან ორმაგი) სვლის შემდეგ სახეხი ქარგოლი გადაადგილდება განივად ჭრის სიღრმის ტოლი სიდიდით. შემჭრელ მრგვალსახეხ ჩარხზე დასამუშ. ზედაპირი იხეხება განიერი ქარგოლებით. უცენტრო ს. ჩ-ებს იყენებენ გარე და შიგა ზედაპირების სახეხად. გარე ზედაპირების ხეხვისას ნამზადს აყენებენ საყრდენ დანაზე სახეხ (მჭრელ) და წამყვან ქარგოლებს შორის (ნახ. დ.). წამყვანი ქარგოლის განსაზღვრული კუთხით დახრის გამო ნამზადი ბრუნავს და გრძივად გადაადგილდება. შიგა ზედაპირების ხეხვისას ნამზადს აყენებენ 2 დამჭერ გორგოლაჭსა და წამყვან ქარგოლს შორის (ნახ. ე). სახეხი ქარგოლი ბრუნავს სწრაფად და გადაადგილდება განივად ჭრის სიღრმის ტოლი სიდიდით. შიგსახეხ ჩარხებზე ხეხავენ ნახვრეტებს. გავრცელებულია ისეთი ჩარხები, რ-ებზეც დასამუშ. ნამზადი ნახვრეტის ღერძის გარშემო ბრუნავს (ნახ. ბ). ქარგოლი ბრუნავს სწრაფად და გადაადგილდება გრძივად და განივად (ჭრის სიღრმეზე). ისეთი დიდი ნამზადების ნახვრეტების სახეხად, რ-თა ბრუნვა ძნელია, იყენებენ პლანეტარულ შიგსახეხ ჩარხებს. ასეთ ჩარხებში ქარგოლი ბრუნავს თავისი და გასასხეხი ნახვრეტის ღერძის გარშემო ერთდროულად (ნახ. გ). ბრტყლად სახეხ ჩარხებზე დეტალს ამუშავებენ ქარგოლის პერიფერიით ან ტორსით. პირველი ტიპის ჩარხებში (ნახ. ვ) მაგიდა მასზე დამაგრებულ ნამზადთან ერთად ასრულებს უკუქცევით-წინსვლითს ან წრიულ (მრგვალმაგიდიან ჩარხებში) მოძრაობას. ქარგოლი ბრუნავს და გადაადგილდება განივად (მაგიდის ყოველი სვლის შემდეგ) ან გრძივად (მაგიდის მობრუნების შემდეგ). მთელი ზედაპირის გახეხვის შემდეგ ქარგოლი ჭრის სიღრმის ტოლი სიდიდით გადაადგილდება. ისეთ ჩარხებში, სადაც დეტალი ქარგოლის ტორსით მუშავდება (ნახ. ზ), ქარგოლის დიამეტრი დასამუშავებელი ნამზადის ზომაზე დიდია (ხეხვა შეჭრით), ამიტომ ასეთ ჩარხზე განივი მიწოდება არ ხდება. სპეციალიზებულ ს. ჩ-ზე ხეხავენ განსაზღვრული ფორმის დეტალებს (მუხლა ლილვების ყელებს, კბილა თვლების კბილებს, შაბლონებს და სხვ.). ამ ჩარხებზე დამუშავება მიმდინარეობს პირგადაღების, იშვიათად მოყორების მეთოდით. ს. ჩ-ების ჯგუფში შედის აგრეთვე მისალესი, საპრიალებელი, სალესი და სხვა ჩარხები.

2. ხის დამუშავებაში ისეთ ს. ჩ-ს იყენებენ, რ-იც აბრაზიული იარაღით ამუშავებს მერქნისა და მერქნის მასალისაგან მიღებულ დეტალებსა და ნაკეთობებს. აბრაზიული იარაღის ტიპის, სახეხი ზუმფარის ფორმისა და დანიშნულების მიხედვით ს. ჩ. არის დისკური, ლენტური, დოლური, ეიბროსახეხი და სხვ., მიწოდების მოძრაობის მიხედვით — პოზიციური და გასასვლელი. პოზიციურ ს. ჩ-ში აბრაზიული იარაღი ან დასამუშ. დეტალი ასრულებს უკუქცევით-წინსვლითს მოძრაობას, გასასვლელ ს. ჩ-ში კი დასამუშ. დეტალი (ან ნაკეთი) გაივლის აბრაზიული მასალის ზონაში.

ლიტ.: Металлорежущие станки, 2 изд., М., 1973. *კ. ნუცუბიძე.*

სახვევი მანქანა საფეიქრო მრეწველობაში, ნართისა (და ძაფების) გადასახვევი მანქანა. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ქსელ- და მისაქსელსახვევ მანქანებს. ქსელსახვევი მანქანები ორგვარია: პარალელურად და ჯვარედინად დასახვევი მანქანები. პარალელურად დახვევისას ძაფი ეხვევა ორმილტუჩიან კოჭაზე დაბალი კუთხის ხრახნული წირით, ჯვარედინი დახვევისას კი—უმილტუჩო ბობინაზე აწევის მაღალი კუთხის ხრახნული წირით. უფრო გავრცელებულია შედარებით დიდწარმოებლური ჯვარედინად დასახვევი მანქანები.



სახეხი ჩარხი. სახეხი ჩარხის მუშაობის სქემები: ა—მრგვალსახეხისა; ბ—შიგსახეხისა; გ—შიგსახეხი პლანეტარულისა; დ—უცენტრო სახეხისა; ე—უცენტრო შიგსახეხისა; ვ—ბრტყელი სახეხისა, რომელიც ხეხავს ქარგოლის პერიფერიული ზედაპირით; ზ — ბრტყლად სახეხისა, რომელიც ხეხავს ქარგოლის ტორსით; 1—ქარგოლი; 2—ჩარჩიკი; 3 — დასამუშავებელი დეტალი; 4—ვაზნა; 5—წამყვანი ქარგოლი; 6—საყრდენი დანა.

სახვითი ხელოვნება, მოიცავს *ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, ფოტოხელოვნებას*. ს. ხ. მხატვრულ საჩვენებს ქმნის ხელშესახები ფორმით, რ-შიაც ობიექტური სინამდვილის მოცემულობაც, საგნობრივი სახეც ამოცნობადია, ე. ი. არასახვითი ხელოვნებისაგან განსხვავებით ს. ხ. მეტყველებს თვალსაჩინო სახეებით. აბსტრ. ხელოვნებაც კი არ კარგავს კავშირს ხილულ სინამდვილესთან თუნდაც იმიტომ, რომ აბსტრ. ფორმა (სახე) კონკრეტულის ნგრევის შედეგია, ე. ი. ამოსავალი აქაც რეალური გარემოა. ს. ხ-ის დარგები ასახავენ ობიექტურ სინამდვილეს თავისი მახასიათებლებით: საგნის მოცულობით, სიმძიმით, ფერით, საარსებო სივრცით, სივრცეში მოძრაობით და სხვ. მაგრამ ობიექტური სინამდვილის ამ მოცემულობას ს. ხ. აყენებს საძიებელი სინამდვილის ფორმალური ადექვატის შექმნის სამსახურში სამყაროს სულიერი ათვისებისათვის. ამ გზაზე მხატვრული ფორმა არის სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი საშუალება, ამასთან თავისი მონაპოვრის გაზიარების საშუალებაც. ეს არის ს. ხ-ის აღმზრდელობითი ფუნქცია, რ-იც გზაა ს. ხ-ის ზემოქმედებისა სამყაროზე. რაკი ხილული სინამდვილე არაა რეალობის ზღვარი, სინამდვილის არსის ძიებაში ს. ხ., შესაბამისად თავისი კონკრეტული, ისტორიულად განპირობებული მიზნისა, ახორციელებს შერჩევას ობიექტური სინამდვილის მახასიათებლებისაგან, ანუ თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად აღიქვამს სამყაროს. გამოსახულ საგანს რომელიმე ნიშანი შეიძლება ან გააქტივებული ჰქონდეს მხატვრულ სახეში, ან პირიქით—რედუცირებული, ანდა სულაც—უგულებელყოფილი. ეს შეეხება არა მხოლოდ საგნის ფიზ. მახასიათებლებს, არამედ ისეთ მოცემულობასაც, როგორიცაა ემოციური შინაარსი, ფსიქოლ. დახასიათება, დრამატიზმი, თხრობა, წარდგენა და ა. შ. ს. ხ-ის სტილთა ცვალებადობა—ხელოვნების ისტორია გვიჩვენებს, რომ ს. ხ-მ, თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე, რ-იც იმავდროულად სამყაროს შემეცნების ეტაპიცაა, ისევე როგორც ლიტ-რამ, ფილოსოფიამ და რელიგიამ, კაცობრიობას სამყაროს სულიერი ათვისების გზაზე მოპოვებული ფასეულობები შესძინა. *მ. თაბუკაშვილი.*

სახვითი ხელოვნების მუზეუმი ა. პუშკინის სახელობისა მოსკოვში, საზღვარგარეთის ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობით მეორე კოლექცია სსრკ-ში (ლენინგრ. ერმიტაჟის შემდეგ). გაიხსნა 1912. შეიქმნა XIX ს. შუა წლებში მოსკ. უნ-ტის „ნატიფი ხელოვნების კაბინეტის“ ბაზაზე. პროფ. ი. ცვეტაევის თაოსნობით კაბინეტი გადაკეთდა უნ-ტთან არსებულ ქანდაკების პირთა მუზეუმად (უნ-ტის გამგებლობაში იყო 1923-მდე). მუზეუმის შენობის აგების (1898—1912, არქიტ. რ. კლეინი) შემდეგ დიდი რაოდენობით იქნა შეძენილი ქანდაკების პირები, ხელოვნ. ცნობილი ნიმუშები, მ. შ.: ძვ. ეგვიპტის ქანდაკების კოლექცია, დას. ევრ. ფერწერის ორიგინალები, ანტ. ლარნაკები, მონეტები და მედლები. საბჭ. პერიოდში ხელოვნებათმცოდნეების — ნ. რომანოვის, ვ. ლაზარევის, ბ. ვიპერისა და სხვ. ხელმძღვანელობით მუზეუმი იქცა სახვითი ხელოვნ. მნიშვნელოვან ცენტრად. მუზეუმი შეივსო ყოფილი რუმიანცევის მუზეუმის, ერმიტაჟისა და ტრეტიაკოვის გალერეის ექსპონატებით. ს. ხ. მ-ში თავმოყრილია ძვ. აღმოსავლეთის, ძვ. საბერძნ., ძვ. რომის, ბიზანტ., დას. ევრ. ქვეყნების ხელოვნების ნიმუშები. სურათების გალერეის ფონდში დაცულია ჰოლანდ. და ფლამანდ. (XVII ს.), ფრანგ მხატვართა (XVII—XIX სს.) ფერწერული ტილოები, *ბარბიზონის სკოლისა* და ფრანგი იმპრესიონისტების (იხ. *იმპრესიონიზმი*) მდიდარი კოლექციები, საბჭ. და საზღვარგარეთის გრაფიკის 350 ათ-ზე მეტი ნიმუში. ს. ხ. მ-ში ტარდება სამეცნ. პოპულ. მუშაობა, ეწყობა საბჭ. და საზღვარგარეთის მუზეუმების გამოფენები, მუზეუმს აქვს სარესტავრაციო სახელოსნო.

სახვნელი იარაღები, ხვნისათვის განკუთვნილი იარაღების საერთო სახელწოდება, მათი დანიშნულებაა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეებში ბელტის თანაბრად აჭრა, გადაბრუნება და დაშლა. საქართველოში ამ მიზნით მრავალი ტიპის ს. ი-ს იყენებდნენ. მ. შ. გამოიყოფა 4 ძირითადი ჯგუფი: 1. ნიადაგის გამწერი საშუალებანი: თუშური კავწერა, ხევსურული საწერა, სვანური ლიღრავი და სხვ. ეს იარაღები ძირითადად მთის ზოლში იყო გავრცელებული. მათ იყენებდნენ ნიადაგის სახნავი ფენის გასაწერად და გასახაზად. გამწერი საშუალება იყო მხარზე მიმაგრებული საკვეთელი. გაწერილ-დახაზული ნიადაგი კარგად იცავდა სინესტეს და მის მიმყოლ სახვნელ კავსაც მუშაობას უადვილებდა. ამ ტიპის სახვნელში უღელი ხარი იბმებოდა;

2. კოლხური კავი, მოხეური მხარგადაბმული სახვნელი, ხევსურული სახვნელი, კახური და ქართლური აჩაჩა, ჯვილღა, თუშური კავი და სხვ. ამ სახვნელებში აბამდნენ 1-იდან 5 უღლამდე გამწევ ძალას. იგი მუშაობდა ნიადაგის ანგრევა-მსხვრევის პრინციპზე. ამ იარაღებით მიწას ხნავდნენ 10—15 *სმ* სიღრმეზე. იგი გავრცელებული იყო საქართვ. ისეთ რეგიონებში, სადაც ნიადაგის ღრმად დამუშავება არ იყო საჭირო. მე-2 ჯგუფის იარაღებს ხშირად ხმარობდნენ აგრეთვე მოხნული მიწების (ანეულები, მზრალები) ხელმეორედ გადასახნავად (ასაოშად). საქართველოში გავრცელებული მე-2 ჯგუფის სახვნელების ანალოგიურია შუმერული, ბაბილონური და ეტრუსკული სახვნელები;

3. რაჭული, სვანური და ორხელა სახვნელი. ამ სახვნელებით შეიძლება ნიადაგის ანგრევა და მისი ნახევრად მსხვრევით გადაბრუნება. მე-2 ჯგუფის სახვნელებთან შედარებით ისინი გაცილებით გაღრმავებენ. გაჩენილი უნდა იყოს;

მე-4 ჯგუფს განეკუთვნება ფრთიანი გუთანი, რ-იც აჭრილ ბელტს აბრუნებს და ამსხვრევს. იგი გავრცელებული იყო ქართლში, კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთში. მე-4 ჯგუფის სახვნელი ანუ ფრთა-ფამფალაკიანი გუთანი საქართვ. ბარის რ-ნებში განვითარებული სარწყავი მიწათმოქმედების პერიოდში (ძვ. წ. VII—III სს.) უნდა შექმნილიყო.

ს. ი-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვია ფრთიანი ს. ი-ის შექმნამ. დიდი გუთანი, რ-შიც რამდენიმე უღელი გამწევი ძალა იბმებოდა, გარკვეულად განაპირობებდა შრომის კოლექტიურ ორგანიზაციას, რაც, თავის მხრივ, მოქმედებდა მოსახლ. სოც. ურთიერთობაზე.

ს. ი-ის წარმომავლობის შესახებ მრავალი თეორია არსებობს. სახვნელის განვითარების საფუძვლად ერთნი თოხს, მეორენი ბარს, ნიჩაბს, სხვები ბარსაც და თოხსაც მიიჩნევენ. ვარაუდობენ, რომ ს. ი-ის გამოყენება ნეოლითის ხანიდან დაიწყო. საქართველოში პირველი მარტივი სახვნელის მასალად ირმის რქასა და ცხოველთა ლულოვან ძვლებსაც იყენებდნენ.

ლიტ.: ჩ ი ტ ა ი ა გ., ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღებულების რაიონში, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1928, ტ. 4; მ ი ს ი ე ვ ი, რაჭული სახვნელის ფარულიანი ქუსლი, «თსუ შრომები», 1941, ტ. 18; ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ტ., ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, «ძეგლის მეგობარი», 1973, № 33; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, გამოც. მე-2, ტ. 1, თბ., 1930; ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მ ი ს ი ე ვ ი, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1964, ტ. 22 B; Читая Г. С., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, კრ.: Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952.

გ. ჯალაბაძე.

სახიანოვა ლარისა პეტრეს ასული (დ. 13. II. 1930, სოფ. კირენი, ახლანდ. ტუნკის რ-ნი, ბურ. ასსრ), საბჭ. ბალეტის მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1963). 1937—42 და 1945—46 სწავლობდა მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. 1946-იდან ულან-უდეს ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. პარტიები: სიუმბიკე (იარულინის „შურალე“), სესეგი (რიაუზოვის „გაჩირაღდნებული ველი“), ჟიზელი (ადანის „ჟიზელი“), ოდეტა-ოდილია (ჩაიკოვსკის „გედის ტბა“), ანგარა (კნიპერისა და იამპილოვის „მზეთუნახავი ანგარა“, რსფსრ გლინკას სახ. სახელმწ. პრემია, 1972). 1966-იდან ულან-უდეს ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგი და ხელმძღვანელი. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სსრკ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.



ლ. სახიანოვა.

სახილე, ნედლი ხილის შესანახი შენობა. პროდუქციის კარგად შენახვისათვის საჭიროა, რომ ს-ში იყოს სათანადო ტემპერა, ჰაერის ტენიანობა, აგრეთვე ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის გარკვეული თანაფარდობა. ხილის შენახვის ტემპ-რულ რეჟიმს ქმნიან ბუნებრივი გაცივებით (ცივი ჰაერით) ან სამაცივრო დანადგარებით. ჰაერის განსაზღვრული ტენიანობის შესაქმნელად იყენებენ ხელოვნურ კმადატენიანებას. ს-ში აირების საჭირო შედგენილობას აღწევენ ნაყოფთა ფიზ. აქტივობით ან აირთა ნარევის მიწოდებით. არსებობს ერთი სახის ნაყოფის შესანახი და უნივერს. ს. ხილის შენახვის ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ საზაფხულო (ხილეულის ტრანსპორტირების წინ მოკლევადიანი შესანახი), საზამთრო (ხილის ხანგრძლივად შესანახი) და კომბინირებულ ს-ებს. ს. შეიძლება იყოს ჰერმეტულ და არაჰერმეტულ კამერებიანი. ს-ის ასაგებად იყენებენ ასაწყობ რკინაბეტონს და ადგილ. სამშენებლო მასალებს (აგური, ქვაყორე და სხვ.).

სახილველი, თეატრის ძვ. ქართული სახელწოდება. იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, ქვეთავი თეატრი.

სახიობა, ძვ. ქართული სახილველის (თეატრის) ერთ-ერთი სახეობა. იოანე რუფუსის „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ (დაწერილია VI ს. დასაწყისში) ცნობით „ბევრ წარჩინებულს ამა ქვეყნისას... ჩვეულებად ჰქონდათ მოეწვიათ თავისთან მაშრიბნი და მუტრიბნი, რათა ემღერათ სიამუნების და წარმავალი განცხრომის მოსაგვრელად“. V ს-ში მგოსან ვაჟთა და ქალთა დასების მოწვევა ქართლის დიდებულთა კარზე ჩვეულებად იყო ქცეული. ს. ბევრად უფრო ადრე არსებობდა. იგი საუკუნეთა მანძილზე შემუშავდა როგორც პოეტური სიტყვის,



სახვითი ხელოვნების მუზეუმი ა. პუშკინის სახელობისა მოსკოვში. შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ქანდაკების დარბაზი („იტალიური ეზო“).

სიმღერის, მუსიკისა და ცეკვის სინთეზური სახილველი. ს. მცირე ჟანრის ნაწარმოებთა შესრულებას გულისხმობდა და თანამედროვე საესტრადო ხელოვნ. წინამორბედ სანახაობრივ მოვლენას წარმოადგენდა.

XII ს-ში სასახლის კარის ს-მ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რაც აისახა იმ დროის ისტ. და მხატვრულ ნაწარმოებებში. ს-ის რეპერტუარში შედიოდა: ქებანი, გინება-ბასრობანი, პოლემიკური ხასიათის დრამ. ნაწარმოებები (ცისა და ქვეყნის გაბაასება, ვარდბულბულიანი, ქალვაჟიანი, სულისა და ხორცის გაბაასება, რძალდედამთილიანი და სხვ.), მითოლ. სიუჟეტების, იგავ-არაკების პანტომიმიკური წარმოსახვანი; შემსრულებელნი იყვნენ: მსახიობელნი, მეშღერნი, მესახიენი, მგოსნები, მეჩანგეები, მენესტვენი, მროკვალნი, ტყაოსან-ნიღბოსნები, მუშაითები და სხვ. ს-ს თავისი „სიმღერის მწერლები" (დრამატურგები) ჰყავდა: ბისტიკა (XII ს.), თეიმურაზ I (XVII ს.), დ. გურამიშვილი, მანანა (XVIII ს.). ცნობილი არიან XV ს. მსახიობები მამა-შვილი ივანე და სარელა ქაროხიძეები, XVII ს. საზანდარბაში გიორგი; XVIII ს-ში ს-ის დასს მეთაურობდა დ. *მაჩაბელი*. სასახლის კარის ს-ში მონაწილეობდა საიათნოვა. ს. სრულდებოდა „სახლსა სათამაშოსა შინა", სალხინო დარბაზებში, იპოდრომის სარბიელსა და მოედნებზე. XIX ს-ში ს-ის ნაშთად შემორჩა აშუღების — სათარას, ევანგულასა და ჰაზირას ხელოვნება. ს-ის ტრადიციები გამოიყენა XIX ს. ქართ. დრამატურგიამ (გ. ერისთავი, ა. წერეთელი).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძვ. საქართველო-ში, მის წგნ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1945; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ქართული თეატრის ბალხური საწყისები, წგნ. 1, თბ., 1948; მ ი ს ი ვ ე, ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, [თბ., 1965]; მ ი ს ი ვ ე, სახიობა, წგნ. 1—3, თბ., 1957—60; სამსახიობო რაინდისა. [პიესა]. ს. იორდანიშვილის გამოც., თბ., 1947; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

დ. ჯანელიძე.

სახის ნერვი (Nervus facialis), თავის ტვინის VII წყვილი ნერვი. მამოძრავებელი ხასიათისაა. მისი ბირთვები მდებარეობს ტვინის ხიდის დორსალურ ნაწილში. ტვინის ფუძეზე გამოდის კარიბჭე-ლოკოკინისა და შუამდებარე ნერვებთან ერთად ნათხემის შუა ფეხს, მოგრძო ტვინსა და ნათხემის კვირტს შორის. ს. ნ. შიგნითა სასმენი ხვრელით შედის საფეთქლის ძვალში, სადაც საგანგებო არხს გაივლის და ქალას ფუძეზე სადგის-დვრილისებრი ხვრელის საშუალებით გამოდის. ამ პირველ მონაკვეთში ს. ნ-ის შემადგენლობაში შედის შუამდებარე ნერვიც, რ-ის ტოტებს ზოგჯერ აღწერენ ს. ნ-თან ერთად. სადგის-დვრილისებრი ხვრელიდან გამოსვლის შემდეგ (მეორე მონაკვეთი) ს. ნ. შეიჭრება ყბაყურა ჯირკვალში, სადაც ტოტიანდება და წარმოქმნის ყბაყურის წნულს. ამ წნულიდან გამოსული საბოლოო 7 ტოტი ანერვიანებს მიმიკურ კუნთებს, სადგის-ენის კუნთს, ორმუცელა კუნთის უკანა მუცელსა და კისრის კანქვეშა კუნთს (პლატიზმას). ს. ნ-ის ყველაზე ხშირი დაავადებაა დამბლა.

ვ. აბაშიძე.

სახკინოტრესტი, იხ. *ქართული ფილმი.*

სახლთსაშენებელი კომბინატი, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმო, რ-იც ამზადებს სხვადასხვა ტიპის ასაწყობი საცხოვრებელი შენობის ყველა ელემენტს, კომპლექტურად აწვდის მათ მშენებლობას და თვით ამონტაჟებს. ს. კ. საბინაო მშენებლობის სპეციფ. საორგანიზაციო ფორმაა, იგი უზრუნველყოფს მშენებლობის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლებას.

სსრკ-ში პირველი ს. კ-ები ჩამოყალიბდა ლენინგრადში XX ს. 50-იან წლებში და სწრაფად გავრცელდა მთელ ჩვენს ქვეყანაში. საქ. სსრ-ში მოქმედებს ს. კ-ების მძლავრი ქსელი (რუსთავი, თბილისი, გორი, ქუთაისი, ბზიფი, ბათუმი). ყოველი ს. კ. გათვალისწინებულია გარკვეული რ-ნის ან უწყების მომსახურებისათვის.

იმის გამო, რომ მცირე სიმძლავრის ს. კ-ები (25—30 ათ. $მ^2$-ზე ნაკლები ფართობი წელიწადში) ეკონომიკურად ნაკლებად ეფექტურია, უფრო გავრცელებულია საშ. და დიდი სიმძლავრის ს. კ-ები.

ლიტ.: **Указания по организации и деятельности домостроительных комбинатов в жилищно-гражданском строительстве,** Л., 1968.

გ. ნინუა.

სახლთუხუცესი, მეფისა და მსხვილი ფეოდალების დიდი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, ასრულებდა სამეურნეო-საფინანსო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ს. ანუ *აბრამადი* უძველესი თანამდებობაა, რ-იც არსებობდა გაერთ. საქართველოშიც და იქიდან გადმოვიდა გვიანდ. ფეოდ. პერიოდში. მაგრამ წყაროებში ს. XV ს-მდე არ ჩანს. ყველა ის ფუნქცია, რ-იც მეფის ს-ს ჰქონდა, გაერთიანების ხანაში განაწილებული იყო ვეზირებს შორის.

საქართვ. პოლიტ. დაშლისა და მეფის ხელისუფლების დასუსტების პირობებში ს-ის თანამდებობა ყოველ მეტ-ნაკლებად მსხვილ საფეოდალოში არსებობდა. თავიანთი ს-ები ჰყავდათ კათალიკოსსა და დედოფალსაც.

სახლთუხუცესობა წარმოშობით ხელშინაური სახელო უნდა ყოფილიყო. მაგრამ, რამდენადაც მეფეს საჯარო ხელისუფლება ეპყრა, მისი ს-ც სამეფო მოხელე გახდა და პირველი ადგილი დაიკავა გვიანდ. ფეოდ. პერიოდის მმართველობის ცენტრ. აპარატში. იგი მეფის დამხმარე, თანაშემწე იყო სამეფოს მმართველობაში, მას ემორჩილებოდა სამეურნეო-საფინანსო დარგის ყველა მოხელე. ს-ს ექვემდებარებოდა გადასახადების, სამეფო ბაჟისა და იჯარის საქმეები, აგრეთვე, სამეფო მიწების დამუშავების საკითხები. დარბაზობა-პურობის დროს იგი მთავარი განმკარგულებელი იყო, ხელმძღვანელობდა სტუმრების მიღებას, უფლება ჰქონდა მეფის წინ დამჯდარიყო. ს-ის ხელმძღვანელობით უნდა მომზადებულიყო ყმა-მამულის წყალობის წიგნი, სახელოს ბოძებისა და ჯამაგირის საბუთი და სხვ. ს-ს ასეთი დოკუმენტები უნდა შეემოწმებინა, თავისი ბეჭედი დაესვა და ამის შემდეგ მოეხსენებინა მეფისათვის. აქედან ჩანს, რომ ს-ს ექვემდებარებოდნენ *მდივნები* და *მორდალები*. ს-ს ინსპექციის უფლება-მოვალეობა ჰქონდა: ჩამოიცილიდა სამეფოს სხვადასხვა ადგილს და მიიღებდა საჭირო ზომებს.

სახლთუხუცესობა ფრიად შემოსავლიანი სახელო იყო. იგი ყოველთვის მსხვილ ფეოდალს ეჭირა. ს. ამა თუ იმ ფუნქციას ხშირად უშუალოდ კი არ ასრულებდა, არამედ „თავისი კაცების" მეშვეობით, რ-ებიც სამეფოს მოხელეებად არ ითვლებოდნენ.

XVIII ს. II ნახევარში, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდეგ, რამდენიმე ს. იყო: ერთი ქართლისა (ზოგჯერ 2-ც) და ორი — კახეთისა. შეიქმნა აგრეთვე ს-ის განსაკუთრებული კოლეგია (შედიოდნენ მელიქ-მამასახლისი და მდივნები), რ-იც ქართლ-კახეთის სამეფოს ფინანს. საქმეებს განაგებდა.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13, გვ. 165—173; ს ურ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952, გვ. 173—181.

ი. სურგულაძე.

სახლი, საცხოვრებელი ნაგებობა, კულტურული და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა. იხ. *საცხოვრებელი.*

სახლი, გვარის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი. წარმოიქმნა პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში. ადრინდ. კლასობრივი და შუა საუკ. ხანის სხვადასხვა მონაკვეთში მნიშვნელობას იცვლიდა, ახასიათებდა პოლისემანტიკა. კერძოდ, ამ ტერმინით აღინიშნებოდა: 1. ტერიტორიული თემი; 2. ფეოდალური საგვარეულო და სამეფო დინასტია; 3. სამეფო რეზიდენცია და სამეფო დომენი; 4. ტერიტ.-ადმ. ერთეული; 5. საცხოვრებელი ნაგებობა.

გვაროვნ. წყობილების ხანიდანვე ს-ს დაუკავშირდა ისეთი სოც.-პოლიტ. ტერმინები, როგორებიცაა: დიასახლისი (გვარის უფროსი ქალი), მამასახლისი (გვარის უფროსი მამაკაცი), სახლისწული, სახლიკაცი, სახლისშვილი, მსახური, სახლეული (გვარის წევრთა სხვადასხვა კატეგორია).

გვაროვნ. საზ-ბის გვიანდ. საფეხურზე ს. აღნიშნავდა ტერიტ. თემს, რ-საც განაგებდა მამასახლისი (ან „სახლის უფალი"). ასეთი ს-ის უფროსებს ქართლის სამეფოს წინა ხანაში ლეონტი მროველი თავადებს (ე. ი. გამგებლებს) უწოდებს. მ. შ. ყველაზე უფროსი ყოფილა მცხეთელი მამასახლისი — „რეცა თავადი მცხეთას", რ-საც ექვემდებარებოდნენ სხვა მამასახლისები. ამრიგად, მეფობის წინა ხანაში (ძვ. წ. III ს-მდე) ქართლი წარმოადგენდა ს-ების (ე. ი. ტერიტ. თემების) კრებულს. ისინი შემორჩა კლასობრივი საზ-ბის ხანაშიც. ადრინდ. ფეოდ. ხანის ქართ. წერილობით ძეგლებში მოხსენიებული არიან ამ ს-ების გამგებელი მამასახლისები (ატენელი მამასახლისი, მარადელნი მამასახლისი, ქართლის მამასახლისი და სხვ.).

შუა საუკ. საქართველოში ს. უმთავრესად ფეოდ. საგვარეულოს ან სამეფო დინასტიას აღნიშნავდა. ფეოდ. საგვარეულოს უფროსი იყო გვარის მამასახლისი (ანუ თავადი — გამგებელი), ისევე, როგორც მეფე-სამეფო დინასტიის მამასახლისი. ამავე პერიოდში „სახლი სამეუფო" სამეფო რეზიდენციას აღნიშნავდა. შუა საუკუნეებში ზოგჯერ ს. ტერიტ.-ადმ. ერთეულსაც ეწოდებოდა. ს. დაერქვა აგრეთვე იმ შენობას, სადაც ცხოვრობდა გვარი, ხოლო იმ ტერიტორიას, სადაც გვარი მკვიდრობდა, ეწოდა სასახლე (შემდეგ სახელწ. „სასახლე" თვით შენობაზე გავრცელდა).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1, ტფ., 1928 (თხზ., ტ. 6, თბ., 1982).

ნ. შოშიაშვილი.

სახლის თაგვი (Mus musculus), ძუძუმწოვარი ცხოველი თაგვისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა — 7—10,8 *სმ*, მასა — 18—30 გ. შეფერილობაში ჭარბობს ნაცრისფერი. გავრცელებულია თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე, არქტიკისა და ანტარქტიდის გარდა ს. თ. ბინადრობს როგორც ადამიანის ბინაში, ისე ბუნებაში. შობს 5—7 წრუწუნას. ზამთრის ხელსაყრელ პირობებში და საკვების სიუხვისას ს. თ. მასობრივად მრავლდება. იგი ყოვლისმჭამელია. გადააქვს შავი ჭირის გამომწვევი; სამხრ. რ-ნებში *ტულარემიით* ადამიანის დაავადების ძირითადი წყაროა. ს. თ. საწყისი მასალაა თაგვების წმინდა ხაზების მისაღებად, რ-თაც იყენებენ როგორც ლაბორ. ცხოველს. გენეტ. და სხვა ექსპერიმენტებისათვის.

სახლის სოკოები, ბაზიდიუმიანი სოკოები, რ-ებიც შლიან ან ალპობენ ხის ნაგებობებს. მოიცავს 50-მდე სახეობას. დიდ ზარალს იწვევს ნამდვილი ს. ს., თეთრი ს. ს. საზოგადოდ ს. ს-ს განვითარებას ხელს უწყობს უმთავრესად მერქნის ჭარბი ტენიანობა.

სახმარი ღირებულება, ნივთის სარგებლიანობა, მისი თვისება, დააკმაყოფილოს ესა თუ ის ადამიანური მოთხოვნილება. ს. ღ. კონკრეტული შრომის შედეგია (იხ. აგრეთვე *საქონელი*).

სახმელეთო ჯარების სარაკეტო ჯარი, სსრკ შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების გვარეობა, რ-იც საბრძოლო ამოცანებსა და ოპერაციებს ასრულებს


სსრ კავშირისა და მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო დროშები



სსრკ სახელმწიფო დროშა




რსფსრ




უკრაინის სსრ




ბელორუსიის სსრ



უზბეკეთის სსრ



ყაზახეთის სსრ



საქართველოს სსრ



აზერბაიჯანის სსრ



ლიტვის სსრ



მოლდავეთის სსრ



ლატვიის სსრ



ყირგიზეთის სსრ



ტაჯიკეთის სსრ



სომხეთის სსრ




თურქმენეთის სსრ



ესტონეთის სსრ

სტ. სახელმწიფო დროშა

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო დროშები



ავსტრალიის კავშირი




ავსტრია




ალბანეთი



ალჟირი



ამერიკის შეერთებული შტატები



ანგოლა




ანდორა




არაბთა გაერთიანებული საამიროები



არგენტინა




ახალი ზელანდია



ბანგლადეში




ბარბადოსი




ბაჰამის კუნძულები



ბაჯრეინი




ბელგია



ბენინი




ბირმა




შენიშვნა: 1984 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით



ბოლივია



ბოტსვანა



ბრაზილია



ბულგარეთი




ბურუნდი




ბკუტანი



ბაბონი



ბაიანა




ბამბია



ბანა




ბერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკა



ბერმანიის
ფედერაციული რესპუბლიკა



ბვაზემალა




ბვინეა



ბვინეა-ბისაუ



ბრენადა




დანია



დასავლეთი სამოა



დიდი ბრიტანეთი



დომინიკელთა რესპუბლიკა



ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა



ეთიოპია



ეკვადორი



ეკვატორული ბვინეა

სტ. სახელმწიფო დრომა

საქართველო

ალბანეთი

ალჟირი

ანდორა

ანგოლა

ანტიგუა და ბარბუდა

არაბეთის გაერთიანებული საამიროები

არგენტინა

სომხეთი

ავსტრალია

ავსტრია

აზერბაიჯანი

ბაჰამის კუნძულები

ბანგლადეში

ბარბადოსი

ბაჰრეინი

ბელიზი

ბელორუსია

ბელგია

ბენინი

ბოლივია

ბოსნია და ჰერცეგოვინა

ბოტსვანა

ბრაზილია

ბრუნეი

ბულგარეთი

ბურკინა ფასო

ბურუნდი

ჩადი

ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩილე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

კოლუმბია

კომორის კუნძულები

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

კონგო

კოსტა-რიკა

კოტ-დ'ივუარი

ხორვატია

კუბა

კვიპროსი

ჩეხოსლოვაკია

დანია

ჯიბუტი

დომინიკა

დომინიკელთა რესპუბლიკა

ეკვადორი

ეგვიპტე

სალვადორი

ეკვატორული გვინეა

ეთიოპია

ფიჯი

ფინეთი

საფრანგეთი

გაბონი

გამბია

გერმანია

განა

საბერძნეთი

გრენადა

გვატემალა

გვინეა

გვინეა-ბისაუ

გაიანა

ჰაიტი

ჰონდურასი

უნგრეთი

ისლანდია

ინდოეთი

ინდონეზია

ირანი

ერაყი

ირლანდია

ისრაელი

იტალია

კოტ-დ'ივუარი

იამაიკა

იაპონია

იორდანია

ყაზახეთი

კენია

კირიბატი

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა

კორეის რესპუბლიკა

კუვეიტი

ყირგიზეთი

ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა

ლატვია

ლიბანი

ლესოთო

ლიბერია

ლიბია

ლიხტენშტეინი

ლიტვა

ლუქსემბურგი

მადაგასკარი

მალავი

მალაიზია

მალდივის კუნძულები

მალი

მალტა

მავრიტანია

მავრიკი

მექსიკა

მონაკო

მონღოლეთი

მაროკო

მოზამბიკი

ნამიბია

ნეპალი

ნიდერლანდები

ახალი ზელანდია

ნიკარაგუა

ნიგერი

ნიგერია

ჩრდილოეთ ირლანდია

ნორვეგია

ომანი

პაკისტანი

პანამა

პაპუა-ახალი გვინეა

პარაგვაი

პერუ

ფილიპინები

პოლონეთი

პორტუგალია

პუერტო-რიკო

კატარი

რუმინეთი

რუსეთის ფედერაცია

რუანდა

სენ-კიტს და ნევისი

სენ-ლუსია

სენ-ვინსენტი და გრენადინები

სან-მარინო

სან-ტომე და პრინსიპი

საუდის არაბეთი

სენეგალი

სეიშელის კუნძულები

სიერა-ლეონე

სინგაპური

სლოვაკეთი

სლოვენია

სოლომონის კუნძულები

სომალი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ესპანეთი

შრი-ლანკა

სუდანი

სურინამი

სვაზილენდი

შვედეთი

შვეიცარია

სირიის არაბთა რესპუბლიკა

ტაივანი

ტაჯიკეთი

ტანზანია

ტაილანდი

ტოგო

ტონგა

ტრინიდადი და ტობაგო

ტუნისი

თურქეთი

თურქმენეთი

უგანდა

უკრაინა

ურუგვაი

აშშ

უზბეკეთი

ვანუატუ

ვატიკანი

ვენესუელა

ვიეტნამი

იემენი

იუგოსლავია


ზაირი

ზამბია

ზიმბაბვე




კამერუნი




კამბუჩია



კანადა



კატარი




კენია



კვიპროსი



კოლუმბია




კომორის კუნძულები



კონგო




კორეის სახალხო
დემოკრატიული რესპუბლიკა



კოსტა-რიკა



კუბა



ლაოსი



ლესოთო




ლიბანი



ლიბერია



ლიბია



ლიხტენშტაინი




ლუქსემბურგი




მადაგასკარი




მავრიკი



მავრიტანია




მალავი




მალაიზია



მალდივის რესპუბლიკა




მალი




მალტა




მაროკო



მექსიკა



მოზამბიკი




მონაკო




მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა



მწვანე კონცხის რესპუბლიკა




ნაურუ




ნეპალი



ნიგერი




ნიგერია



ნიდერლანდი




ნიკარაგუა




ნორვეგია




ომანი



პაკისტანი



პანამა



პაპუა–ახალი გვინეა




პარაგვაი



პერუ



პოლონეთი




პორტუგალია



რუანდა



რუმინეთი




საბერძნეთი



სალვადორი



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა




სან-მარინო



სან-ტომე და პრინსიპი




საუდის არაბეთი




საფრანგეთი



სიიშელის კუნძულები




სენეგალი



სენტ-ვინსენტი და გრენადინები



სენტ-ლუსია



სვაზილენდი




სიერა-ლეონე




სინგაპური




სირია



სოლომონის კუნძულები



სომალი




სპილოს ძვლის ნაპირი



სუდანი




სურინამი



ტაილანდი




ტანზანია




ბრაზილია




ბრუნეი



ბურკინა-ფასო და ბურუნდი



ბუვალუ



ბუნისი




უგანდა




უნგრეთი



ურუგვაი



ფინეთი



ფილიპინები




ფიჯი



ქუვეითი




შვეიცარია



შვეცია



შრი-ლანკა



ჩადი




ჩეხოსლოვაკია



ჩილე



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა



ჯიბუტი



კაიმი



ჰონდურასი

რაკეტული იარაღით. შეიქმნა 1950—60-იან წლებში სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტ., საფრ. და ჩინ. შეიარაღებულ ძალებში არსების რაკეტულ-ბირთვული იარაღით აღჭურვის შედეგად. სსრკ-ში განარჩევენ ოპერატ.-ტაქტ. და ტაქტიკური დანიშნულების ნაწილებსა და შენაერთებს. ს. ჯ. შეიარაღებულია მოტორიზებულ ტექნიკაზე დადგმული ბალისტიკური რაკეტებით და შეუძლია სწრაფი მანევრირება. ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ შორ მანძილზე მოქმედებს და სწრაფად ანადგურებს მტერს. უნარი შესწევს მოსპოს მტრის ბირთვული თავდასხმის საშუალებები, ჯარების მთავარი დაჯგუფებები მთელ ოპერატ. სიღრმეში, სამეთაურო პუნქტები, ჯარების მართვის ცენტრები, მატერ. საშუალებები, საკომუნიკაციო კვანძები და ოპერატ. ზურგის სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტები.

სახმელეთო ჯარი, შეიარაღებული ძალების სახეობა, რ-იც განკუთვნილია სახმელეთო საომარ მოქმედებათა თეატრებში სტრატეგიული და ოპერატ.-ტაქტიკური ამოცანების შესასრულებლად. ბევრ ქვეყანაში ს. ჯ. მათი სამხ. ძლიერების საფუძველია. ს. ჯ-ს შეუძლია დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთმოქმედებით უკუაგდოს მტრის სახმელეთო არმიები, დიდი სანაპირო და საზღვაო დესანტები, განახორციელოს ერთდროული მასირებული დარტყმა მათი განლაგების მთელ ოპერატ. სიღრმეზე, გაარღვიოს მტრის თავდაცვა, სწრაფი ტემპით და დიდ სიღრმეზე უზრუნველყოს სტრატეგიული შეტევა და განიმტკიცოს დაკავებული ტერიტორია. ს. ჯ. გამოირჩევა ცეცხლის სიმძლავრითა და დარტყმითი ძალით, მაღალი მანევრულობითა და სრული საბრძოლო დამოუკიდებლობით. მას შეუძლია ბირთვული იარაღით მტრის დაჯგუფებათა მთლიანად განადგურება და სასიცოცხლოდ საჭირო რ-ნების დაკავება.

საბჭ. ს. ჯ. აღჭურვილია ბირთვული და რაკეტული იარაღით, ჩვეულებრივი იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით, კავშირგაბმ. და სატრანსპ. საშუალებებით. ს. ჯ. შედგება ჯარების გვარეობებისა და სპეც. ჯარებისაგან. ჯარების გვარეობებია: ს. ჯ-ის სარაკეტო ჯარები, არტილერია, მოტომსროლელი, სატანკო, ჰაერსადესანტო, ს. ჯ-ის საჰაერო თავდაცვის ჯარები. ს. ჯ-ის საბრძოლო ძლიერების საფუძველია სარაკეტო ჯარები. სპეც. ჯარებს განეკუთვნება: საინჟინრო, ქიმ., რადიოტექ., კავშირგაბმ. საავტ. ჯარები, საგზაო ჯარების სხვადასხვა სამსახური, ზურგის ნაწილები და დაწესებულებები.

ორგანიზაციულად საბჭ. ს. ჯ. შედგება ქვეგანაყოფების, ნაწილების, შენაერთებისა და გაერთიანებებისაგან. ს. ჯ-ს სათავეში უდგას მთავარსარდალი — სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რ-საც ექვემდებარებიან ს. ჯ-ის მთავარი შტაბი, ჯარების გვარეობათა სარდლები (უფროსები), სპეც. ჯარების, მთავარი სამმართველოებისა და სამხ. სასწავლებელთა უფროსები.

I მსოფლიო ომის (1914—18) დროს მეომარი ქვეყნების ჯარების ძირითადი მასა ს. ჯ. იყო. ომის მსვლელობისას შეიქმნა ჯავშან-სატანკო, საავტ., ქიმ., საჰაერო თავდაცვისა და სხვა ჯარები.

1917 ოქტ. რევ. გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა პრინციპულად ახ. შეიარაღებული ძალები, რ-თა საფუძველს წარმოადგენდა ს. ჯ. უმაღლესი ტაქტიკური შენაერთები იყო მსროლელი და საკავალერიო დივიზიები, სამოქალაქო ომის (1918—20) შემდეგ — კორპუსებიც, ოპერატიული გაერთიანებები იყო არმიები.

II მსოფლიო ომის (1939—45) დასაწყისისათვის ს. ჯ. შეიქმნა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ფაშისტურ სახელმწიფოებში. ერთბაშად გადიდდა სატანკო, მექანიზებული, პაერსადესანტო ჯარების ტანკსაწინააღმ და საზენიტო არტილ. ხვ. წ. გრძელდებოდა ჯარების მოტორიზაცია და მექანიზაცია.

დიდი სამამულო ომის (1941—45) შემდეგ ს. ჯ. ვითარდებოდა მიღებული საბრძოლო გამოცდილების, იარაღისა და საბრძოლო ტექ. შემდგომი სრულყოფის ბაზაზე. 1957 საბჭ. შეიარაღებული ძალების მსროლელი და მექანიზებული დივიზიები გადაკეთდა მოტომსროლელ დივიზიებად. კავალერიამ ყველა ქვეყანაში დაკარგა მნიშვნელობა და დაიშალა.

განვითარებული სახელმწიფოების ს. ჯ. აღჭურვილია რაკეტულ-ბირთვული იარაღით, უფრო სრულქმნილი ჩვეულებრივი იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით, მართვის თანამედროვე საშუალებებით. ბირთვულმა იარაღმა შეცვალა შეიარაღებული ძალების სახეობათა თანაფარდობა. პირველი ადგილი დაიკავეს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებმა (სტრატეგიული ძალები), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ს. ჯ. მაინც რჩება შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე მრავალრიცხოვან სახეობად.

სანაპირო ჯარა, ნიადაგის ზედა ფენა, რ-საც სისტემატურად ამუშავებენ. ნიადაგის ნორმალური ს. შ-ის სისქეა 20—22 *სმ*, მცირე ფენის 20 *სმ*-ზე ნაკლები, ღრმა ფენისა — 22—35 *სმ* და მეტი. ს. შ-შია თავმოყრილი კულტ. მცენარეების ფესვების ძირითადი ნაწილი (80—90%), ამიტომ იგი საკმაო რაოდენობით უნდა შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს, ტენსა და ჟანგბადს. ს. შ-ში ორგ. და მინერ. სასუქების შეტანის შემდეგ იქმნება საკვები ნივთიერების მარაგი, ხოლო გაფხვიერება ხელს უწყობს ატმ. ნალექებისა და ჟანგბადის დაგროვებას.

სანინისი, სოლისებური მოყვანილობის სახვნელი იარაღის შემადგენელი ნაწილი. ამზადებდნენ მთლიანი რკინის ნაჭრისაგან ცხელი ჭედვით, იგი დაგებული იყო სახვნელის კბილაზე და მიწას ჰორიზ. სიბრტყეში ჭრიდა. ს-ს სახვნელი იარაღისა და ნიადაგის შესაბამისად სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ. საქართველოში გვხვდება წვერბუდიანი, ორფრთიანი, ცალფრთიანი, ასიმეტრიული და ეშვიანი ს-ები. არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია წვერბუდიანი (სოხუმი, ძვ. წ. V—IV სს.), ბრტყელპირიანი (ქუთაისი, ძვ. წ. V — IV სს.) და ორფრთიანი (გუდარეხი, X—XI სს.) ს-ები. რკინის უქონლობის გამო ძველად ს-ის დანიშნულებით ხარის რქასაც იყენებდნენ (სვანეთი). წვერბუდიან ს-ს ქვა-ღორღიანი ნიადაგების დასამუშავებლად ხმარობდნენ. ორფრთიანი და ცალფრთიანი ს. გავრცელებული იყო ბარსა და გარდამავალ ზოლში. ასიმეტრიული ს. XIX ს. II ნახევარში გაჩნდა და ახალი ტიპის გუთნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ეშვიან ს-ს, რ-იც ჩრდ. კავკასიიდან არის შემოსული ძვ. აფხ. სახვნელში იყენებდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი და ორიგინალური იყო ქართ. დიდი გუთნის ს., რ-ის სიგრძე 45 *სმ* აღწევდა, ყბების სიგანე 14 *სმ*, სამუშაო პირისა 35 *სმ*, წონა კი 10—20 *კგ*. ს-ს ადგილ. მჭედლები ამზადებდნენ.

ლიტ.: რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, გამოც. მე-2, ტ. 1, თბ., 1930; ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; Артилаква В. Е., Железообрабатывающее ремесло в древней Грузии, Тб., 1976; Читая Г. С., О некоторых чертах древне-колхидской культуры (VII Междунар. конгресс антропологических и этнографических наук), М., 1964.

გ. ჯალაბაძე.

სანოვანი ვასილი გრიგოლის ძე [17.II. (1. III). 1886, დოროგობუჟი, სმოლენსკის ოლქი, — 26. II. 1945, მოსკოვი], საბჭ. რეჟისორი, თეატრმცოდნე, პედაგოგი. რსფსრ სახ. არტისტი (1938), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1939). 1910 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკტი. 1912-იდან მუშაობდა მოსკოვში, თ. კომისარჟევსკის სტუდიაში (1914-იდან ვ. კომისარჟევსკაიას სახ. თეატრი). 1918 ოქტ. რევ. სასახლის სცენაზე დადგა სპექტაკლები კამენსკის „სტენკა რაზინი“ და ერვიე-ჩულკოვის „კარმანიოლა“. 1922—26 იყო მოსკ. დრამ. თეატრისა და კომედიის თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ს-ს დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: შოუს „დიდი ეკატერინე“, ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი“, „მგლები და ცხვრები“, შილერის „დონ კარლოსი“ და სხვ. მოსკოვის სამხატვრო თეატრში განახორციელა დადგმები „ბიბიას სიზმარი“ (დოსტოევსკის მიხედვით, 1929), „მკვდარი სულები“ (ნ. გოგოლის მიხედვით, 1932), „ეგორ ბულიჩოვი“ (1934), „ანა კარენინა“ (ლ. ტოლსტოის მიხედვით, 1937) და სხვ. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად. 1926-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: Режиссура и методика ее преподавания, М.—Л., 1939.

სანოკია თედო ტიმოთეს ძე (15. III. 1868, სოფ. ხეთა, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი,— 17. II. 1956, თბილისი), ქართველი საბჭ. მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. 1884-იდან სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობისათვის. 1886-იდან სწავლობდა ჯერ ჟენევის უნ-ტში, შემდეგ პარიზის სორბონის უნ-ტში. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1888 ი. ჭავჭავაძის „იერიაში“. 1900 შეიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლ. სასწავლებელში. ბევრს მოგზაურობდა. 1901 თანამშრომლობდა რომში მ. *თამარაშვილთან*, 1902 საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგალური გაზ. „საქართველოს“ თანარედაქტორი იყო. აქტიურად თანამშრომლობდა საქართვ. ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კავკაზი“), განსაკუთრებით კი „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, რ-ებისთვისაც პარიზიდან აგზავნიდა წერილებს. 1906 რევ. დასახმარებლად საქართველოში უცხოეთიდან იარაღის ჩამოტანის გამო ს. დააპატიმრეს და 1908 ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან გაიქცა, მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა. 1916-იდან საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში, აქტიურად ეღვწოდა ლიტ. და პედ. სარბიელზე.

ქართ. მთარგმნელობითი ლიტ-რის მნიშვნელოვანი შენაძენია ს-ს თარგმანები: ბოკაჩოს „დეკამერონი“, ბარბიუსის „ცეცხლი“, ვაზოვის „დამონებულნი“, მოპასანის, ვოლტერის, ზოლას, დოდეს, მირბოს, ანდერსენისა და სხვ. თხზულებანი. ს-მ შეკრიბა და გამოაქვეყნა „ქართული ანდაზები“ (1967), „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (ტ. I—III, 1950—55) და სხვ.

თხზ.: ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956; მოგზაურობანი, თბ., 1950; როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955; ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984.

ლიტ.: თედო სახოკია, თბ., 1969; ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., ლიტერატურული წერილები, თბ., 1977.

ლ. აჟალიანი.

სახოკია მიხეილ თედორეს ძე (28. VI. 1902, სოფ. ბაღმარანი, გულრიფშის რ-ნი, — 17. VIII. 1963, თბილისი), ქართველი საბჭ. ბოტანიკოსი, გეობოტან. მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საქ. სსრ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტის შირაქისა (1939) და ყაზბეგის (1961) სამეცნ. სტაციონარები. 1961-იდან ყაზბეგის მაღალმთის სტაციონარის გამგე. მას ეკუთვნის გამოკვლევები ფლორისტიკაში, მცენარეთა სისტემატიკაში, ბოტან. გეოგრაფია-



ი. სახოკია.

სახმელეთო ჯარი

(სსრკ სახმელეთო ჯარის მთავარსარდლები)

1946 მარტი — ივნისი
გ. ჟუკოვი
საბჭ. კავშირის მარშალი


1946 ივლისი. 1950 მარტი, 1955 მარტი—1956 მარტი
ი. კონევი
საბჭ. კავშირის მარშალი

1956 მარტი — 1957 ოქტომბერი
რ. მალინოვსკი
საბჭ. კავშირის მარშალი

1957 ნოემბერი — 1960 აპრილი
ა. გრეჩკო
საბჭ. კავშირის მარშალი

1960 აპრილი—1964 ივნისი
ვ. ჩუიკოვი
საბჭ. კავშირის მარშალი

1967 ნოემბრიდან დღემდე
ი. პავლოვსკი
არმიის გენერალი



სახსრიანი მექანიზმი. ნახ. 1. სფერული ოთხწევრა სახსრიანი მექანიზმი: 0—უძრავი წევრი; 1—3—მოძრავი წევრები.

ში, გეობოტანიკაში (კავკ. მცენარეულობის კლასიფიკაცია, კარტოგრაფირება, მთიანი ქვეყნების ვერტიკალური სარტყლიანობის და გეობოტან. დარაიონების პრინციპების დამუშავება). ავტორთა კოლექტივთან ერთად შექმნა სსრკ ევრ. ნაწილის მცენარეულობის რუკა (I გამოცემა — 1950, II გამოცემა — 1980), რისთვისაც მიენიჭა აკად. ვ. კომაროვის სახ. პრემია. თანაავტორია მონოგრაფიისა „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მცენარეულობა". დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის" ორდენით და მედლებით.

გ. ნახუცრიშვილი.


სახორცე, სოფელი გორის რ-ნში (მღებრიანის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1680 *მ*, გორიდან 43 *კმ*. ტყვიავის კოლ-ბა. საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ქვემო ბოშურში (15 *კმ*).

სახოჯოლავო, სოფელი ხობის რ-ნში (ალიონის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 70 *მ*, ხობიდან 10 *კმ*. ხობის მეღორეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. რვაწლ. სკოლა სოფ. ალიონში (2 *კმ*).

სახრახნელი, გარე კუთხვილის მოსაჭრელი იარაღი, მრგვალი ფირფიტა, რ-საც აქვს საკუთხავი ნახვრეტი. ნახვრეტში გაკეთებულია ღარაკები მჭრელი წიბოების წარმოსაქმნელად და ბურბუშელის მოსაცილებლად.

სახრახნისი, საზეინკლო-საამწყობო ხელსაწყო; ხრახნებისა და სჭვალების ჩასახრახნამოსახრახნი. ჩახრახნის პროცესის დასაჩქარებლად იყენებენ მექან. ს-ს, რ-საც ამაგრებენ ხელის საბურღი მანქანის ვაზნაში.

სახსარი, ძვლების მოძრავი შეერთება. ს-ის შემქმნელი ძვლების სასახსრე ზედაპირები კონგრუენტულია: თუ ერთი ძვლის ზედაპირი ამობურცულია და წარმოადგენს სასახსრე თავს, მეორესი შესაბამისად ჩაღრმავებულია და ქმნის სასახსრე ფოსოს. ძვლების სასახსრე ზედაპირებს ფარავს პიალინური ხრტილი, რ-ის საზღვარზე ძვლისაზრდელა გადადის ერთი ძვლიდან მეორეზე და წარმოქმნის სასახსრე ჩანთას. მისი გარეთა ზედაპირი მდიდარია სისხლის ძარღვებითა და მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებებით; შიგნითა ზედაპირის ამომფენი უჯრედები ს-ის ჰერმეტულად დახშულ ღრუში გამოყოფენ მცირეოდენ გამჭვირვალე სეროზულ სითხეს (სინოვიას), რ-იც ასველებს ძვლების სასახსრე ზედაპირებს და მოძრაობისას ამცირებს ძვლებს შორის ხახუნს. ჩანთის ბოჭკოების კონცენტრაციით წარმოიქმნება ოიგები, ზოგიერთ ს-ში სასახსრე ხრტილების მექან. დაზიანებისაგან დასაცავად ჩართულია ხრტილოვანი ფირფიტები — *მენისკები* (მუხლის ს.) ან დისკოები (ქვედა ყბის, მკერდ-



სახსრიანი მექანიზმი. ნახ. 2. წყვეტილი მოძრაობისათვის განკუთვნილი ექსცენტრიანი სახსრიანი მექანიზმი. AB წევრის უწყვეტი მოძრაობა გარდაიქმნება EF წევრის ისეთ მოძრაობად, რომლის დროსაც EF წევრი ერთ მდგომარეობაში ხანგრძლივად არის გაჩერებული. ABCD არის მიმმართველი მექანიზმი, რომელშიც წევრების სიგრძე ისეა შერჩეული, რომ M წერტილის ტრაექტორია შუქად აღნიშნულ უბანზე თითქმის ემთხვევა R რადიუსის მქონე წრეწირის რკალს. ამ უბანზე M წერტილის მოძრაობისას EF წევრი უძრავია, თუ EM წევრის სიგრძე R რადიუსის ტოლია და ამ დროს E წერტილი ემთხვევა აღნიშნული წრეწირის ცენტრს.

ლავიწის და სხვ. ს-ები); ზოგან სასახსრე ფოსოს აქვს ხრტილოვანი ბაგე, რ-იც ზრდის სასახსრე ფოსოს მოცულობას. ს-ის მოძრაობას განსაზღვრავს ძვლების სასახსრე ზედაპირების ფორმა. სფერულ ს-ში (მხრის, მენჯ-ბარძაყის და სხვ.) შესაძლებელია მოძრაობა 3 ღერძის ირგვლივ; ელიფსოიდური (ატლანტ-კეფის) და უნაგირა (სხივ-მაჯის დისტალური ს.) ს-ები ორ-ღერძიანია, ცილინდრული, მბრუნველი და ჭაღისებრი ფორმის ს-ები — ერთღერძიანი. მაგ., თითების ფალანგთაშუა ს-ში (ჭაღისებრი ფორმა) შესაძლებელია მხოლოდ თითის მოხრა და გაშლა ჰორიზ. ღერძის ირგვლივ.

ვ. აბაშიძე.

სახსარი, ორი სხეულის მოძრავი შეერთება, რ-ის დროსაც მათი ფარდობითი მოძრაობა არის მოძრაობა ღერძის ირგვლივ (ცილინდრული ს.) ან წერტილის ირგვლივ (ბურთულა ს.). მექანიზმებში ს-ს ეწოდება ბრუნვითი *კინემატიკური წყვილი*. იგი სრიალის ან გორვის საკისარში მბრუნავი პოჭოჭიკის სახისაა. ბურთულა ს-ს მექანიზმებში სფერულ კინემატიკურ წყვილს უწოდებენ. ის შეიძლება იყოს ბურთულა (რ-იც შედის სფერულ ამონაჩარხში) ან სფერული (გორვის საკისრის მსგავსი). ბურთულა ს. ძნელი დასამზადებელია, ამიტომ მას ხშირად ცვლიან *კარდანული მექანიზმით*, რ-იც შედგება 2 ან 3 მიმდევრობით შეერთებული ცილინდრული ს-გან, რ-თა ბრუნვის ღერძები ერთ წერტილში გადაიკვეთება. ს-ს იყენებენ არა მარტო მანქანათა მექანიზმებში, არამედ სამშენებლო კონსტრუქციებშიც (წამწეებში).

სახსრიანი მექანიზმი, მექანიზმი, რ-ის წევრები მხოლოდ მბრუნავ კინემატიკურ წყვილებს (სახსრებს) ქმნიან. ს. მ. არის ბრტყელი, სფერული და სივრცული. ბრტყელ ს. მ-ში სახსრების ღერძები პარალელურია და ამიტომ ყველა წევრი ბრტყელპარალელურ მოძრაობას ასრულებს. უმარტივესი ს. მ. 3 წევრისაგან შედგება. სფერულ ს. მ-ში სახსრების ღერძები ერთ წერტილში გადაიკვეთება. მასშიც 3 წევრი შედის. სფერულ ოთხწევრა ს. მ-ს იყენებენ მრავალდგუშიან ტუმბოებში, საფრენი აპარატების სტაბილიზაციის მოწყობილობაში და სხვ.; სფერული ოთხწევრა ს. მ-ის კერძო შემთხვევაა *კარდანული მექანიზმი*. სივრცული ს. მ-ის კინემატიკური წყვილების ღერძები სხვადასხვა კუთხით იკვეთება. საერთოდ სივრცითი ს. მ. შედგება 7 წევრისაგან, მაგრამ წევრების ხაზოვანსა და კუთხურ ზომებს შორის განსაზღვრული თანაფარდობის დაცვისას შეიძლება წევრთა რიცხვის 3-მდე შემცირება.

მუშა წევრის მოძრაობის მიხედვით ს. მ. არის გადასაადგილებელი (მუშა წევრის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასაადგილებელი; იყენებენ მეტალ. მანქანებში, კვების მრეწვ. ავტომატებში და სხვ.); მიმმართველი (მოცემულ მრუდზე წევრის იმ წერტილის გადასაადგილებელი, რ-იც დგართან კინემატიკურ წყვილს არ ქმნის). ყველაზე გავრცელებულია წრის რკალზე მიმმართველი და *სწორხაზოვნად მიმმართველი მექანიზმები*.

ს. მ. ადვილი დასამზადებელი და დიდად საიმედოა, რის გამოც ფართოდ გავრცელდა ტექ. სხვადასხვა დარგში.

სახუნდარი, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, მდ. ფოლადაურის მარჯვ. მხარეს, ახლანდ. სოფ. სარკინეთის (დმანისის რ-ნი) დას-ით. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

სახუროო სამუშაოები, სამშენებლო სამუშაოები, რ-თა მიზანია *ხის კონსტრუქციებისა* და დეტალების დამზადება და დაყენება. ს. ს. მოიცავს ხის საბირკვლის (ხიმინჯის), კედლის, ტიხრის, იატაკის, ხიდის, კაშხალის, ესტაკადის, დამხმარე მოწყობილობის დამზადებას სტანდ. ფარიანი სახლის აწყობას და სხვ. თანამედროვე მშენებლობაში მერქანს, აგრეთვე ძირითად კონსტრუქციებსა და ნაკეთობებს მსხვილი ობიექტებისათვის ამზადებენ მექან. საშუალებებით ხის დასამუშ. ქ-ნებში, სადაც დადგმულია დიდმწარმოებლური მოწყობილობები. როცა მცირე მოცულობის სამუშაოებია, მერქანს ამუშავებენ ელექტრიფიცირებული იარაღით და ხელით (ხერხის, ცულის, რანდისა და მისთ. მეშვეობით). სახუროო ნაკეთობებს ერთმანეთთან აერთებენ ჭდობით, წირწკიმალითა და წყალმედეგი წებოთი. სახუროო ნაკეთობათა მასალაა მერქანი (უფრო წიწვოვანი ჯიშისა), მორის, ძელის, ფიცრის, ფირფიტის, ფანერისა და მისთ. სახით, სახუროო ნაკეთობა რომ არ დალპეს და დეფორმაცია არ განიცადოს, იგი უნდა დამზადდეს ნაკლებად მანკიანი და მცირე ტენის (არა უმეტეს 15%-ისა) შემცველი მერქნისაგან.

საჯა, სოფელი დმანისის რ-ნში (კიროვისის სოფსაბჭო), გომარეთის პლატოზე. ზ. დ. 1150 *მ*, დმანისიდან 21 *კმ*. კიროვისის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი. სოფლის მახლობლად შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — თლილი ქვით ნაგები XI ს. ეკლესია. ძეგლი დაზიანებულია. კარნიზი შემკულია თაღების მწკრივით. კარის თავზე წარწერაში მოხსენიებულია მცქისეიდეკ კათალიკოსი.

საჯად ზაკირი საედ (5. XI. 1905, ლაქნაუ, — 11. IX. 1973, ალმა-ათა), ინდოეთისა და პაკისტანის საზოგადო მოღვაწე, მწერალი. წერდა პინდი და ურდუ ენებზე. ინდ. კომპარტიის წევრი 1932-იდან, 1943—48 მისი ცკ-ის წევრი. დაამთავრა უნ-ტები ლაქნაუსა და ოქსფორდში. 1929 შეუდგა დიდი ბრიტ. კომპარტიაში. განიცდიდა ინგლ. ხელისუფალთა დევნას. 1936, 1937, 1940—42 დაპატიმრებული იყო. 1935-იდან მონაწილეობდა ინდ. ეროვნ. კონგრესის პარტიის მუშაობაში, 1936—39 შედიოდა კონგრეს-სოციალ. პარტიის ხელმძღვანელობაში. ინდ. პროგრ. მწერალების ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936). პაკისტანის შექმნის (1947) შემდეგ 1948-იდან პაკისტ. კომპარტიის გენ. მდივანი. ს. ზ. იყო აზიისა და აფრ. ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. აზიისა და აფრ. ქვეყნების მწერალთა ხუთი კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე. ცნობილია როგორც ნოველისტი. ძირითადი თხზ.: მოთხრობა „ღამე ლონდონში" (1937), პიესა „ავადმყოფი" (1936), ისტ.-ლიტ. გამოკვლევა „ჰაფეზის ხსოვნას" (1956), მემუარები „სინათლის სხივი" (1956), ლექსების კრებ. „გამდნარი საფირონი" (1964). ს. ზ-ის შემოქმედებაში შეიმჩნევა სოციალ. რეალიზმის ნიშნები.

საჯავახო, ისტორიული მხარე დას. საქართველოში, საჯავახოს ქედის წინა ზოლის ტერიტორია, ახლანდ. სამტრედიისა და ჩოხატაურის რ-ნების მოსაზღვრე რეგიონი. სახელწ. „საჯავახო" XIII ს. ფეოდალის ჯავახ ჭილაისძის სახელიდან უნდა მოდიოდეს. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. მონაცვლეობით ეკუთვნოდა გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს, იმერეთის სამეფოს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4. თბ., 1973.

თ. ბერაძე.

საჯავახო (ყოფ. ორპირი), სოფელი სამტრედიის რ-ნში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ნიგორწყვა, ჭოგნარი). რკინიგზის სადგური. ზ. დ. 25 *მ*, სამტრედიიდან 8 *კმ*. კოლ-ბა „პირველი მაისი" (მემინდვრეობა, მებოსტნეობა). ხილის კარიერი. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), 2 ბ-კა, მედპუნქტი, საფერშლო პუნქ-

ტი, კავშირგაბმ. განყ-ბა, სოფლის მიდამოებში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები: ღვთისმშობლის ეკლესია, სამონასტრო კომპლექსი „გამოჩინებული“, რ-ის წმ. გიორგის ეკლესია 1519 არის აშენებული.

საჯავშნე ფოლადი, სამხედრო ობიექტების ჯაჭვშნიანი საფრის დასამზადებელი ლეგირებული ფოლადი; იყენებენ აგრეთვე ტექ. მიზნებისათვის (მაგ., დარტყმითი დატვირთვებისაგან კაბელების დასაცავად). ს. შ-ის ძირითადი მალეგირებელი ელემენტებია Cr, Ni, Mo, V, Mn, Si და სხვ. სამხ. ობიექტებისათვის უმთავრესად 20—200 *მმ* სისქის ფურცელებს და ფილებს ხმარობენ. ს. შ-ის ფილებს სისალის, სიბლანტისა და სხვა თვისებების მისანიჭებლად ამუშავებენ თერმულად ან ქიმ.-თერმულად. ჰეტეროგენულ ს. შ-ს ღებულობენ ცალმხრივი წრთობით. არასამხედრო ობიექტებისათვის, როგორც წესი, უშვებენ ს. შ-ის ლენტებსა და მავთულს.

საჯაია ალექსანდრე ალექსის ძე (1916, სოფ. ლედვებე, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი,—IX. 1944, იქვე), ქართველი საბჭ. პოეტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1940). პირველი ლექსი ჟურნ. „ჩვენს თაობაში“ გამოაქვეყნა 1935, ლექსთა პირველი კრებ. „ლექსები“—1938. ს-ს პოეზიის არსებითი მოტივია სამშობლოს სიყვარული („წყარო“, 1935; „მშობლიური სიმღერა“, 1943). პოეტი ბუნების მარადიული აღორძინების მოთვალთვალე და მხარობელია („იშრიალეთ, ხეებო“, 1935; „გაზაფხულის ზეიმი“, 1936; „საგაზაფხულო“, 1944; „ცაცხვი“, 1944). სათუთი და ინტიმურია მშობლიური სოფლის, მამა-პაპეული კერის, დედ-მამის გახსენება („წერილი“, „მოგონება“, 1936). ს-ის სატრფიალო ლექსებიც განცდის სიცხოველით, სიწრფელითა და უშუალობით გამოირჩევა („ქუხილი“, 1939; „ისევ მომესმა გულის ხმაური“, 1944 და სხვ.); მისი ერთ-ერთი პოპულარული ლექსი „ცისარტყელა“ (1936) სიმღერად იქცა. ს-ს ეკუთვნის დაუმთავრებელი ისტ. პოემა „უტუ მიქავა“ (1938—39), დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი „პატარა პარტიზანი“ (1941), „დაჭრილი მეომრის წერილი“ (1943), „ოლეგ კოშევოი“ (1944) და სხვ. ჩაფიქრებული ჰქონდა ლექსების რამდენიმე ციკლი სვანურ მოტივებზე, რაც მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა („სვანური მოტივებიდან“, 1944). პოეტური პროზის ნიმუშებია ს-ს ზღაპრები: „უთავო მეფე და დიდთავა მეფე“, „ორი ყანჩა“, „უდღეური ბატკანი“ (1939), „როგორ იქცა კაცი ხედ“ (1940). თარგმნიდა ინგლ. პოეზიის ნიმუშებს (შელის, შექსპირის, ლონგფელოს, პოს ლექსები, ინგლ. ხალხ. ბალადა).

თხზ.: ლექსები, თბ., 1940, 1947, 1967; რჩეული, თბ., 1955, 1971; როგორ იქცა კაცი ხედ, თბ., 1962; უთავო მეფე და დიდთავა მეფე, თბ., 1973.

ლიტ.: აგიაშვილი ნ., ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1971; ჭელიძე ვ., ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1971.

ლ. აჟალიანი.

საჯაია კალისტრატე გრიგოლის ძე (პარტ. ფსევდ. „ხაჯეი“, „ქეთევანიძე“, „კალენიჩენკო“) (22. X. 1895, სოფ. ხორგა, სენაკის მაზრა,—1938), რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე რუსეთსა და საქართველოში. ექიმი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი. კომპარტიის წევრი 1915-იდან. დაამთავრა ოდესის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. მონაწილეობდა ოდესის სტუდენტთა რევ. მოძრაობაში. 1917 რკპ(ბ) ოდესის იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი, აქტიურად იბრძოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. 1918 გაზაფხულზე ოდესის ოლქის რევკომის თავ-რე. 1918 დეკ-იდან უკრ. კპ(ბ) ოდესის საოლქო კომიტეტთან არსებული ინტერნაციონალური ორგან. „უცხოეთის კომლეგიის“ წევრი იყო და აქტიურ რევ. პროპაგანდას ეწეოდა ინგლ.-საფრ. ინტერვენტთა ჯარებში. 1920 ს. საქართველოში დაბრუნდა და მენშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა. 1921 მარტიდან დეკ-მდე ბათ. რევკომის თავ-რის მოადგილე. 1922 საქ. კპ(ბ) შორაპნის სამაზრო კომიტეტის მდივანი. 1924-იდან ეწეოდა პედ. და სამეცნ.-კვლევით მუშაობას მედიცინაში. არჩეული იყო ამიერკავკ. ბოლშევიკური ორგანიზაციების I ყრილობის დელეგატად. აქვს შრომები მეანობა-გინეკოლოგიაში.

ჯ. ქორჩილავა.

საჯარო ბრალდება, იხ. სტ. ბრალდება.

საჯარო ვაჭრობა, წესი, რ-ითაც სავაჭრო ხელისუფლება ყიდდა მოვალის ქონებას (თუ იგი უმემკვიდრეოდ გადაეგებოდა, — დარჩენილ *ბეითალმან ქონებას*) და ისტუმრებდა მის ვალებს; აგრეთვე სახელმწიფოს მიერ საშემოსავლო წყაროების იჯარით გაცემის წესი. ს. ვ. გულისხმობდა მყიდველთა თუ მეიჯარეთა შეჯიბრებას (*აუქციონს*). იგი ერთგვარად მოქმედებდა ფეოდ. საქართველოშიც, კერძოდ, ქონების ლიკვიდაცია ანუ „ქისპით გაყიდვა“, *მალიგორად გაყოფასავით*, უმთავრესად ქალაქად იცოდნენ.

ლიტ.: დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პ. უმიკაშვილის რედ., ტფ., 1886, გვ. 76, 77, 164; სამართალი ბატონისშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბ., 1964; Месхия Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв.), Тб., 1959, с. 317, 321.

დ. ფურცელაძე.

საჯდომი ნერვი (Nervus ischiadicus), ადამიანის ყველაზე მსხვილი, შერეული ხასიათის ნერვი. შედგება 60-ზე მეტი ნერვული კონისაგან, რ-თაც ქმნის წელის მე-4, მე-5 და გავის 1-ელი, მე-2 და მე-3 ნერვებიდან მომავალი ბოჭკოები. ს. ნ. გავის წნულის გრძელი ტოტია. იგი მენჯის ღრუს ტოვებს დიდი საჯდომი ხვრელის საშუალებით, ვერტიკალურად ჩამოდის ქვემოთ, თავდება ბარძაყის უკანა ზედაპირის შუა ხაზზე; მუხლქვეშა ფოსოს ზემო კუთხეში იგი იყოფა დიდი წვივისა და მცირე წვივის საერთო ნერვებად. ზოგჯერ ეს ორი ნერვი ძალიან მალეა გამოეყოფა ს. ნ-ს ან უშუალოდ გავის წნულიდან იწყება. მაშინ დიდი წვივის ნერვი მენჯის ღრუდან გამოდის მსხლისებრი კუნთის ქვედა ხვრელით, მცირე წვივის საერთო ნერვი კი — მსხლისებრი კუნთის ზედა ხვრელით. ს. ნ. ბარძაყზე ანერვიანებს ბარძაყის უკანა ჯგუფის კუნთებს, მუხლის სახსარს, დიდი წვივის ნერვი—კანჭის უკანა ჯგუფისა და ტერფძირის ყველა კუნთს, კანჭის უკანა ზედაპირისა და ფეხის გულის კანს. მცირე წვივის საერთო ნერვი იყოფა ზედაპირულ და ღრმა ნერვებად, რ-ებიც ანერვიანებენ კანჭის წინა და გარეთა ჯგუფის კუნთებს, ტერფის ზურგის კუნთებს და კანის სათანადო მონაკვეთებს. ს. ნ-ის დაავადებაა *იშიასი.*

ვ. აბაშიძე.

საჯვარე, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ზნაურის რ-ნში (ყორნისის სოფსაბჭო), მდ-ების შუა ფრონისა და აღმოსავლეთის ფრონის წყალგამყოფზე. ზ. დ. 1040 *მ*, ზნაურიდან 7 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ*. ბეგმარის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ფრინევში (3,5 *კმ*).

საჯი, არაბულ-სპარსული პოეტიკური ხერხი, გარკვეული რიტმისა და რითმის შემცველი პროზა. იხმარება სტილის გართულების მიზნით. მაგ., XIII ს. მწერალმა დაყაიყიმ მანამდე არსებული „ბახთიარნამეს“ მარტივი ვერსია გადააკეთა და ს-ით გამართა. ს-ით არის დაწერილი საადის „გოლესთანი“, ვაეზ ქაშეფის „ანვარე სოჰაილი“ („ქილილა და დამანა“) და სხვ. განასხვავებენ ს-ის სახეობებს. პირველი მათგანი ერთდროულად შეიცავს რიტმსაც და რითმასაც, მეორე მხოლოდ რიტმს, მესამე მხოლოდ სარითმო ერთეულს.

ა. გვახარია.

საჯიდები, დინასტია აზერბაიჯანში IX ს. დასასრ. და X ს. დამდეგს. მისი ფუძემდებელი იყო აბუ ლ-საჯი, რ-იც დაწინაურდა ბაბექის აჯანყების ჩახშობის დროს. 890 ხალიფამ აზერბ. მმართველად მისი ვაჟი მუჰამადი დანიშნა, რ-იც ქვეყანას ხანგამოშვებით მართავდა 929-მდე. იუსუფ საჯი შეეცადა დაეარსებინა სახელმწიფო, რ-ის ცენტრიც აზერბაიჯანში იქნებოდა. მან დაამარცხა სომხ. მეფე სმბატ I, დაიმორჩილა სომხეთი, შემდეგ აიხრა სამხრ. საქართველო, მაგრამ არაბებთან დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა (919). მოგვიანებით იუსუფ საჯი ხელმძღვანელობდა ხალიფის ჯარების დამსჯელ ექსპედიციას კარმატების წინააღმდეგ, მაგრამ აქაც დამარცხდა; მოკლეს 927. ორი წლის შემდეგ ს-მა დაკარგეს აზერბაიჯანი.



ა. საჯაია.

საჯინიბო, ცხენის სადგომი — თაღლა. სანაშენე ცხენების ს-ს ინდივიდ. სადგომებში (ბაშტებში) ულაყებსა და ფაშატებს დაუბმელად ინახავენ, მოზარდეულს კი — ჯგუფურად. სადგომის ზომაა 3,5×3,5 *მ*. მუშა ცხენები ბაგაზე არიან დაბმული (ბაგის განაზომია 1,75×3 *მ* მსხვილი ჯიშებისათვის და 1,6×2,85 *მ* — მომცროებისათვის). ს-ს აქვს დამხმარე სათავსები — ხელოვნური დათესლვისათვის, ინვენტარის აღკაზმულობის, ფურაჟის შესანახად. სანაშენე მეცხენეობაში საწვრთნელი მანეჟიც აქვთ. ს-ში ინახავენ 40-მდე ცხენს (ჯგუფური შენახვისას მათი რაოდენობა ზოგჯერ ასსაც აღწევს). გაყვანილი აქვთ სასმელი წყალი. თუ წყალსადენი არა აქვთ, წყლის რეზერვუარს აწყობენ. 1981 საქართველოში, მარნეულის რ-ნის სოფ. კირიხლოში, დაარსდა რესპ. სახელმწ. ს.

დ. კობალავა.


საჯიხვისლელე, ულელტეხილი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდ. განშტოებაზე — კიდეგანის ქედზე. სიმაღლე 3569 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ახასიათებს ალპ. და სუბნივალური ლანდშაფტი. ულელტეხილზე გადადის საცალფესო გზა ხევსურეთიდან ჩაჩნ.-ინგ. ასსრკენ.

საკაერო ამომრთველი, ელექტრული ამომრთველი, რ-შიც კონტაქტების შერთვა და განრთვა, აგრეთვე ელექტრული რკალის ჩაქრობა წარმოებს შეკუმშული ჰაერით. შეკუმშული ჰაერის წნევა ს. ა-ში მერყეობს 0,4—6 *მეგპა* (4—60 *ატ*) ფარგლებში. უფრო ხშირად წნევა უდრის 1,6—4 *მეგპა* (16—40 *ატ*). ს. ა. შედგება 3 ძირითადი ელემენტისაგან: შეკუმშული ჰაერის მარაგის მქონე რეზერვუარისაგან, რკალსაქრობი მოწყობილობისა და ელექტროიზოლატორებისაგან. თანამედროვე ს.ა-ს უკეთებენ დახურულ მაცალკევებელს, რ-ის კონტაქტები საიზოლაციო გარსშია. ამ ტიპის ს. ა. გაანგარიშებულია 110 *კვ*-სა და უფრო მაღალ (750 *კვ*-მდე) ძაბვაზე. 35 *კვ*-ზე მაღალ ძაბვაზე გაანგარიშებულია ს. ა-ის რკალსაქრობი მოწყობილობა და მისი კონტაქტები თავსდება უშუალოდ შეკუმშული ჰაერის მქონე რეზერვუარში.


ერთ რეზერვუარში ჩვეულებრივ გათვალისწინებულია 2 თანამიმდევრული წყვეტა, რ-ებიც ერთად წარმოქმნიან ე. წ. მოდულურ რკალსაქრობ ელემენტს (მოდულს). კონსტრუქციისა და შეკუმშული ჰაერის წნევის მიხედვით ერთი მოდულით შეიძლება გამოირთოს წრედები, რ-ებშიც ძაბვა 110-იდან 250 *კვ*-მდეა. უფრო დიდი ძაბვისათვის გაანგარიშებული ს. ა. შედგება რამდენიმე თანამიმდევრულად შეერთებული და ერთდროულად მოქმედი მოდულისაგან.

ს. ა. არის კონსტრუქციულად მარტივი, ხანძარ- და აფეთქებაუსაფრთხო, სწრაფქმედი ჩართვა-გამორთვისას. აქვს ნაკლიც — საჭიროებს შეკუმშული ჰაერის საწარმოებელ და მისი მარაგის შესანახ მოწყობილობებს. ს. ა-ს ამზადებენ 1150 *კვ*-მდე ძაბვისათვის.


საჰაერო-რეაქტიული ძრავა



ნახ. 1. მფეთქარი საჰაერო-რეაქტიული ძრავას სქემა: 1—ჰაერი; 2—საწვავი; 3—სასარქველე გისოსი; 4—ფრქვევანა; 5—სანთელი; 6—წვის კამერა; 7—გამოსაველი (რეაქტიული) საქშენი.



ნახ. 2. პირდაპირი დინების საჰაერო-რეაქტიული ძრავას სქემა: 1—ჰაერი; 2—დიფუზორი; 3—საწვავის შემხაპუნება; 4—ალის სტაბილიზატორი; 5—წვის კამერა; 6—საქშენი; 7—აირების გამოდინება.



ნახ. 3. სხვადასხვა ტიპის ძრავების გამოყენების არეები ფრენის სიჩქარის მიხედვით: H—ფრენის სიმაღლე; M—მახის რიცხვი; 1—ტურბორეაქტიული ძრავები; 2 — ფორსაჟის კამერის მქონე ტურბორეაქტიული ძრავები; 3—პირდაპირი დინების საჰაერო-რეაქტიული ძრავები.

საჰაერო ბალიში, ჰაერის გადიდებული წნევის არე მანქანის ძირსა და საყრდენ ზედაპირს შორის, მექანიზმების მოძრავსა და უძრავ ელემენტებს შორის ხელსაწყოებში, მანქანა-იარაღებში. იყენებენ სატრანსპ. საშუალებებში (საჰაერობალიშიანი გემები, ეკრანმფრენები და სხვა საფრენი აპარატები), სხვადასხვა ხელსაწყოსა (გიროსკოპები) და მექანიზმებში „საჰაერო საკისრად", ურთიერთშემხებ ზედაპირებს შორის ხახუნის შესამცირებლად. განასხვავებენ ს. ბ-ის წარმოქმნის სტატ. და დინამ. ხერხებს. სტატ. ხერხის გამოყენებისას წნევა ს. ბ-ში წარმოიქმნება ვენტილატორით ან კომპრესორით, დინამ. ხერხის გამოყენებისას კი — ჰაერის ნაკადის ფარდობითი სიჩქარით. ს. ბ-ის წარმოქმნის ძირითადი სქემებია: კამერული, საქშენის, ხვრელური და ფრთის.

კამერული სქემით ამწევი ძალა წარმოიშობა კამერის ძირის ქვეშ ვენტილატორით დაჭირხნილი ჰაერის სტატ. წნევის შედეგად. *საქშენის სქემით*—სასაქშენე მოწყობილობის პერიმეტრზე მოთავსებული საქშენიდან გამოდენილი ჰაერის ხარჯზე, *ხვრელური სქემით*—წვრილ ხვრელურ ღრუში, საიდანაც ჰაერი ყოველი მხრით გაედინება. *ფრთის სქემით* ს. ბ. წარმოიქმნება საფრენი აპარატის (მაგ., ეკრანმფრენის) ფრთის ქვეშ ჰაერის გადიდებული წნევის შედეგად მაშინ, როცა იგი (საფრენი აპარატი) გარკვეული შეტევის კუთხით მოძრაობს საფრენი ზედაპირის ახლოს.

საჰაერო კოდექსი სსრკ კავშირისა, ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რ-იც შეიცავს *საჰაერო სივრცის* გამოყენებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებელ ნორმებს და სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობის საქმიანობის წესს. ს. კ. მიღებულია 1983 („სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1983, № 20, დანართი). იგი ადგენს, რომ სსრკ-ს ეკუთვნის სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტი საბჭ. სახელმწ. საჰაერო სივრცეზე. ს. კ. ზუსტად განსაზღვრავს საჰაერო ხომალდების აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესს, მისი ეკიპაჟის უფლება-მოვალეობებს, აეროდრომებისა და აეროპორტების ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის წესს, საჰაერო ხომალდების ფრენას, საერთაშ. ფრენას სსრკ საჰაერო სივრცეში და სხვ.; ს. კ. შეიცავს ნორმებს, რ-ითაც დადგენილია ადმ. პასუხისმგებლობა აეროდრომებისა და აეროპორტების დაცვის, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვ. წესების დარღვევისათვის.

საჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავი, ატმოსფეროსა და კოსმოსში საფრენი მზიდზედაპირიანი რეაქტიული საფრენი აპარატის (კერძოდ, ფრთიანის) ახალი სახეობა; აქვს როგორც თვითმფრინავის, ისე კოსმ. საფრენი აპარატის თვისებები; გაანგარიშებულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის; აეროდრომიდან აფრენის შემდეგ გაჭანდება კოსმოსურ სიჩქარემდე, იფრენს კოსმოსურ სივრცეში და დაბრუნდება დედამიწაზე (აეროდრომზე). ს.-კ. თ-ის ძირითადი დანიშნულებაა დასახლებული ორბიტული სადგურების მომარაგება და მათი ეკიპაჟების შეცვლა. იმის გამო, რომ შესაძლებელია ს.-კ. თ-ის მრავალჯერადი გამოყენება, იგი უფრო ეფექტური და ეკონომიურია, ვიდრე თანამედროვე რაკეტა-მატარებლები. იხ. აგრეთვე აშშ-ის 2-საფეხურიანი მრავალჯერადი გამოყენების კოსმ. ხომალდი *„სპეისშატლი"*.

საჰაერო პარკები, ფრინველებისა და ზოგი სხვა ხერხემლიანი ცხოველის თხელკედლიანი ბუშტისებრი ორგანოები. ფრინველებს აქვთ ფილტვებთან დაკავშირებული ს. პ., რ-თაგან მთავარია ლავიწის (ერთი წყვილი, რ-იც ხშირად გაერთიანებულია კენტ ლავიწთშორის პარკად), მკერდისა (ორი ან მეტი წყვილი) და მუცლის (ერთი წყვილი). ს. პ. ავსებენ შუალედებს შინაგან ორგანოებს შორის, ფრუგამონაზარდებით აღწევენ კუნთებს შორის, კანქვეშ, ძვლებში (ე. წ. პნევმატური ძვლები). ს. პ. ფრინველის სხეულში ქმნიან ჟანგბადიანი ჰაერის რეზერვუარს, რ-იც უზრუნველყოფს ფრენისას ე. წ. ორმაგ სუნთქვას (ფილტვებში ჟანგბადის მიწოდებას როგორც ჩასუნთქვის, ისე ამოსუნთქვის დროს). ს. პ. ასრულებენ აგრეთვე თერმორეგულაციურ (თერმოიზოლაცია, ე. ი. სხეულის სითბოს დაკარგვის შეზღუდვა), აეროსტატიკურ (მცურავ ფრინველებში), ჰიდროსტატიკურ (სხეულის ხვ. წ. შემცირება) და ზიც სხვა ფუნქციას. ს. პ-ს უწოდებენ სხვა ხერხემლიანების ცალკეულ წარმომადგენელთა სხვადასხვა დანიშნულების მქონე ბუშტისებრ ორგანოებსაც. ბოტანიკაში ს. პ. ჰქვია ჰაერით ამოვსებულ შუალედებს ზოგი მცენარის (განსაკუთრებით წიწვიანების) მტვრის მარცვლის გარეთა გარსში (ეგზინაში). *ლ. ნათაძე.*

საჰაერო-რეაქტიული ძრავა (სრძ), *რეაქტიული ძრავა*, რ-შიც საწვავის დასაწვავად იყენებენ ატმოსფერულ ჰაერში შემავალ ჟანგბადს. ს.-რ. ძ-ის მეშვეობით მოძრაობს საფრენი აპარატი (თვითმფრინავი, შვეულმფრენი, თვითფმრინავ-ჭურვი). წევის ძალა ს.-რ. ძ-ში წარმოიქმნება რეაქტიული საქშენიდან სამუშაო აირების გამოდინების შედეგად. საქშენიდან აირები რომ დიდი სიჩქარით გამოდინონ, ს.-რ. ძ-ის წვის კამერაში შემავალ ჰაერს კუმშავენ. ჰაერის შეკუმშვის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ტურბოკომპრესორულ (ტრძ), მფეთქარ (მრძ) და პირდაპირი დინების (პდრძ) ს.-რ. ძ-ებს.

ტურბოკომპრესორულ ს.-რ. ძ-ს აქვს აირტურბინით მომუშავე ამძრავის მქონე კომპრესორი, რ-იც საშუალებას იძლევა ფრენის სიჩქარისაგან დამოუკიდებლად შეიკუმშოს ჰაერი. ს.-რ. ძ-ს ფართოდ იყენებენ თვითმფრინავზე, შვეულმფრენზე, უპილოტო თვითმფრინავ-ჭურვზე. ტრძ შეიძლება დაიდგას საჰაერო ბალიშიან გემზე, ავტომობილზე და ა. შ. *მფეთქარ* ს.-რ. ძ-ს აქვს (ნახ. 1) შესავალი დიფუზორი და გრძელი ცილინდრული გამოსაველი საქშენი. საწვავსა და ჰაერს აწვდიან წვის კამერაში პერიოდულად. მრძ-თვის დამახასიათებელია დიდი აეროდინ. წინაღობა და მცირე წევა, რის გამოც მას მხოლოდ ისეთ აპარატებში იყენებენ, რ-თა ფრენის სიჩქარე ბგერის სიჩქარეზე ნაკლებია. *პირდაპირი დინების* ს.-რ. ძ-ის შესავალ დიფუზორში (ნახ. 2) ჰაერი იკუმშება მიმწყდომი ჰაერის ნაკადის კინეტიკური ენერგიის ხარჯზე. პდრძ მუშაობს ფრენის გაცილებით დიდი (ტრძ-თან შედარებით) სიჩქარისა და სიმაღლის პირობებში, ამასთან იგი დიდად ეკონომიურია და კონსტრუქციულად მარტივი; აქვს ნაკლიც: სასტარტო წევის უქონლობა, მცირე ეკონომიურობა ბგერამდელი სიჩქარით ფრენისას. პდრძ-ის გამოყენება ყველაზე ეფექტურია დიდი ზებგერითი სიჩქარით ფრენისას. სხვადასხვა ტიპის ძრავების გამოყენების არეები ნაჩვენებია ნახ. 3-ზე.

საჰაერო-სადესანტო ჯარები, მოწონაალმდეგის ზურგში მოქმედებისათვის განკუთვნილი ჯარის სახეობა. შედგება საპარაშუტო-სადესანტო, სატანკო, საარტ. და სხვა ჯარების შენაერთების, ნაწილებისა და ქვეგანაყოფებისაგან. პირადი შემადგენლობა დაუფლებულია თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტომასა და მოქმედების სპეც. ტაქტიკას. ს.-ს. ჯ-ს შეუძლია მტრის ღრმა ზურგში ხელთ იგდოს და დიდი ხნით დაიკავოს, უმნიშვნელოვანესი რ-ნები, მოშალოს სახელმწ. და სამხ. მმართველობა, გაანადგუროს ბირთვული თავდასხმის საშუალებები, ბაზები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. შეიარაღებული ძალების სახეობათა და ჯარის გვარეობათა ნაწილებსა და შენაერთებთან ურთიერთქმედებით ს.-ს. ჯ. ახორციელებენ საჰაერო-სადესანტო ოპერაციას, რისთვისაც იყენებენ სამხ.-სატრანსპ. ავიაციის თვითმფრინავებს.

საბჭ. ს.-ს. ჯ. ჩაისახა 1930-იან წწ. დასაწყისში, 1941-იდან კი ჯარის სახეობად ჩამოყალიბდა.

II მსოფლიო ომში (1939—45) ს.-ს. ჯ-ს იყენებდნენ ფაშისტური გერმ., ინგლ.-ამერ. არმიები; ომის შემდგომ პერიოდში — აშშ-ის, ინგლ., საფრ. და ისრაელის არმიები.

საჰაერო სამართალი, იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რ-ებიც აწესრიგებს *საჰაერო სივრცის* გამოყენებას, საჰაერო მიმოსვლას და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. ს. ს., რ-ის ნორმები განმტკიცებულია ეროვნ. (შინასახელმწ.) კანონმდებლობით, საერთაშ. ხელშეკრულებებითა და ჩვეულებებით, შედგება ეროვნ. ს. ს-ის, საერთაშ.—კერძო ს. ს-ისა და საერთაშ.-საჯარო ს. ს-გან (საერთაშ.-საჯარო ს. ს-ის ჩვეულებრივ, საერთაშ. ს. ს-ს უწოდებენ). ეროვნ. და საერთაშ. ს. ს-ის ძირითადი პრინციპებია თითოეული სახელმწიფოს ტერიტ. ფარგლებში მის საჰაერო სივრცეზე სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტის პრინციპი—*ტერიტორიული ზღვის* ჩათვლით; საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის (იხ. *საჰაერო ხომალდის გატაცება*), აგრეთვე *ღია ზღვის, ანტარქტიკისა* და *საერთაშორისო სრუტეების* საჰაერო სივრცეში ფრენის თავისუფლების პრინციპი. ფრენის დროს აუცილებელია საერთაშ. სამართ. ნორმების დაცვა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ეროვნ. ს. ს-ის ნორმები, რ-ებიც აწესრიგებენ მგზავრების, ტვირთის და სხვ. საჰაერო კომერციულ გადაზიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის ასეთსავე საკითხებზე სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება უმთავრესად ხდება საერთაშ. კერძო ს. ს-ით. საბჭ. ს. ს-ის ნორმები განმტკიცებულია სსრკ საჰაერო კოდექსში (1983) და სხვა საკანონმდებლო აქტებში. სსრკ საჰაერო სივრცეში უცხოეთის საჰაერო ხომალდების რეგულარული ფრენა ხორციელდება მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ხაზებზე; საერთაშ. ს ს-ის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება სათანადო მრავალმხრივი კონვენციები, კერძოდ, ჩიკაგოს კონვენცია საერთაშ. სამოქალაქო ავიაციის შესახებ (1944) და ორმხრივი შეთანხმებანი. ჩიკაგოს კონვენციის საფუძველზე მოქმედებს სამოქალაქო ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია, რ-იც ადგენს ერთიან საფრენოსნო-ტექნ. ნორმებს და სხვ. 1970 სსრკ ამ ორგანიზაციის წევრი გახდა.

წყარო: სსრკ საჰაერო კოდექსი 198 წ., «სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1983, № 20, დანართი.

ლიტ.: Международное воздушное пра во, кн. 1, М., 1980. *რ. დეკანოზოვ*

საჰაერო საჭე, მოძრავი ზედაპირები, რ-ებიც ქმნიან *აეროდინამიკურ ძალასა* და *მომენტს* საფრენი აპარატის სამართად, როცა იგი მოძრაობს საჰაერო სივრცეში რამდენიმე ასეული *კმ/სთ* სიჩქარით. ნორმალური სქემის თვითმფრინავებში (ნახ. 1) განასხვავებენ სიმაღლის საჭეს, მობრუნების საჭესა და ელერონს, „უკუდო" ტიპის თვითმფრინავებში (ნახ. 2) სიმაღლის საჭეები შეცვლილია ელევონებით. ისეთ თვითმფრინავებში, რ-თა დამახასიათებელია ფრთის ცვლადი ისრისებურობა, ელერონებს დიფერენც. მართვის სტაბილიზატორებით ცვლიან (ნახ. 3).

საჰაერო სივრცე (სამართ. რეჟიმი), საჰაერო სივრცე, რ-იც განლაგებულია სახელმწიფოს სახმელეთო და წყლის ტერიტორიის ზემოთ. ს. ს. სახელმწ. სუვერენიტეტს ექვემდებარება და სახელმწ. ტერიტ. შემადგენელი ნაწილია, რაც განმტკიცებულია მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშ. შეთანხმებებით, აგრეთვე ეროვნ. კანონმდებლობით. ამა თუ იმ სახელმწიფოს სრული და განსაკუთრებული უფლება მისი ს. ს-ის ფარგლებში ნიშნავს იმას, რომ მის ს. ს-ში უცხო საჰაერო ხომალდის ფრენა შეიძლება მხოლოდ ამ სახელმწიფოს ნებართვით და საერთაშ. შეთანხმებებით დადგენილი წესების შესაბამისად. უცხო საჰაერო ხომალდი, რ-იც იმყოფება სახელმწიფოს ს. ს-ში რამდენადმე ექცევა ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში (ვალდებულია დაიცვას საპასპორტო, საბაჟო, სანიტ. და სხვა წესები). იხ. აგრეთვე *საჰაერო სამართალი.*

საჰაერო ტრანსპორტი, ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა. ს. ტ-ს გადაჰყავს მგზავრები, გადააქვს ტვირთი და საფოსტო გზავნილები, ასრულებს სას.-სამ. სამუშაოებს. ს. ტ. ევრ. ქვეყნებსა და ამერიკაში I მსოფლიო ომის (1914—18) წლებში გაჩნდა. სსრკ პირველი საჰაერო ხაზი მოსკოვი—ნოვგოროდი გაიხსნა 1923. ხაზის საერთო სიგრძე 1940 წ. 146 ათ. *კმ*-მდე გაიზარდა. ყველაზე დიდი საჰაერო ხაზი მოსკოვ — ხაბაროვსკ — ვლადივოსტოკი აერთიანებს ურალს, დას. და აღმ. ციმბირის, უკიდურესი ჩრდ., იაკუტ. ასსრ, შორეული აღმ-ის რამდენიმე ათეულ საჰაერო ხაზს. სსრკ საჰაერო ხაზები დაკავშირებულია ერთმანეთთან. საკავშ. ხაზებთან ერთად, რ-თა სიგრძე 1981 წ. 384 ათ. *კმ*-ს აღწევდა, მოქმედებს 2 ათ-ზე მეტი ადგილ. ხაზი, ყოველწლიურად 40-ზე მეტი ახ. ხაზი იხსნება. მოსკოვი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საჰაერო კვანძია. იგი დაკავშირებულია მრავალ ქვეყანასთან და ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ასეულ ქალაქთან. უმსხვილესი საჰაერო კვანძებია მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქები, აგრეთვე ლენინგრადი, ნოვოსიბირსკი, სვერდლოვსკი, კრასნოიარსკი, ირკუსტსკი, ომსკი და ა. შ. ქვეყნის საჰაერო ხაზების საერთო სიგრძე 1982 გაიზარდა 1026 ათ. *კმ*-მდე. აქედან, სსრკ ტერიტორიაზე მოდის 811 ათ. *კმ*, დაახლ. 5,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940. სსრკ ს. ტ-მა 1982 გადაიყვანა 108,1 მლნ. მგზავრი, გადაზიდა 3105 ათ. ტ ტვირთი და ფოსტა, სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში ავიოქიმ. სამუშაო შეასრულა 102,7 მლნ. ჰა-ზე. საერთო ტვირთბრუნვამ (ფოსტის ჩათვლით) 1982 მიაღწია 3,08 მლრდ. *ტ/კმ*-ს, მგზავრთა ბრუნვამ კი — 172,5 მლრდ. მგზავრ/*კმ*-ს.

ს. ტ-ის განვითარება განსაკუთრებით დაჩქარდა II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ, რაც დაკავშირებული იყო მრავალადგილიანი რეაქტიული თვითმფრინავების (ტუ-104, ტუ-114, ილ-18, ან-10, 60-იანი წლებიდან კი — ტუ-124, ან-24, ტუ-134, ტუ-144, ტუ-154, იაკ-40, ბე-30, ილ-62) გამოყენებასთან. თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავები გამოირჩევა დიდი სიმძლავრით, ზებგერითი სიჩქარით (კრეისერული სიჩქარე 2500 *კმ/სთ*), დიდი ტევადობით (120 და მეტი დასაჯდომი ადგილი) და მაღალი საიმედოობით. მაგ., აერობუს ილ-86-ს გადაჰყავს 350 მგზავრი და ავითარებს 900—950 *კმ/სთ* სიჩქარეს. ტვირთის გადასაზიდად შეიქმნა ე. წ. „საჰაერო ეტლი" (ტვირთამწეობა 30 ტ-ზე მეტი). ფართოდ იყენებენ სამგზავრო შვეულმფრენებს (მი-4, და მი-6). გაჩნდა რეაქტიული წევის შვეულმფრენებიც (მი-8, მი-10 და სხვ.).

საჰაერო ხაზების სიგრძითა და სოფ. მეურნეობაში ავიაციის გამოყენებით სსრკ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. სამოქალაქო ავიაციაზე მოდის მსოფლიო გადაზიდვის 30%. 70-იანი წლებიდან სსრკ სამოქალაქო ავიაციის საერთაშ. ორგანიზაციის წევრია, თანამშრომლობს სოციალ. ქვეყნების ავიაკომპანიებსა და საზ-ბებთან. ბევრი სახელმწიფო ყიდულობს და იყენებს საბჭ. თვითმფრინავებს (ილ-18, ტუ-134 და სხვ.) აეროფლოტის სააგენტოები გახსნილია მრავალი ქვეყნის დიდ ქ-ებში.

კაპიტალ. ქვეყნებში ს. ტ. წარმოდგენილია სახელმწიფო და კერძო კომპანიების სახით. ისინი კონკურენციას უწევენ ერთიმეორეს და ტრანსპ. სხვა სახეობებს. აშშ-ში საჰაერო გადაზიდვა 12 მთავარი კომპანიის ხელშია. ამჟამად აშშ-ის, დიდი ბრიტ., საფრ., გფრ-ის, იაპ. და სხვა ქვეყნების წამყვანი ავიაკომპანიები ექსპლუატაციას უწევენ სხვა საერთაშ. საავიაციო კომპანიებს; კონკურენციულ ბრძოლაში ლიდერობს აშშ-ის ავიაკომპანიები. ს. ტ. სწრაფად ვითარდება განვითარებად ქვეყნებშიც.

ს. ტ. განვითარებულია საქ. სსრ-შიც. მას ხელმძღვანელობს საქართვ. სამოქალაქო ავიაციის სამმართველო (1964). პირველი სამოქალაქო ს. ტ-ის ჯგუფი ჩამოყალიბდა 1923, შემდეგ (1938) გაერთიანდა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ამიერკავკ. სამმართველოში. 1956 კვლავ შეიქმნა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართვ. ტერიტ. სამმართველო.

საქართვ. სამოქალაქო ავიაციის სამმართველო აერთიანებს 4 საკავშ. მნიშვნელობის საჰაერო ავიაციის რაზმსა (თბილ., ქუთ., ბათ., სოხ.) და რამდენიმე ადგილ. მნიშვნელობისას. საჰაერო ხაზების სიგრძე (1981) 21,8 ათ. *კმ*-ია, მ. შ. 19 ათ. *კმ*-ზე მეტი საკავშიროა, ნაცვლად 11,3 ათ. *კმ*-ისა 1970. იგი პირდაპირი რეისებით დაკავშირებულია ქ. მოსკოვთან, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებთან, მსხვილ სამრეწვ. ცენტრებთან, სულ 50-ზე მეტ ქალაქთან, ბულგარეთთან (სოფია, ვარნა), რესპ. 12 ქალაქთან, რ-ნულ ცენტრსა და დასახლ. პუნქტთან. 1981 ს. ტ-ით გადაიყვანეს 2515 ათ. მგზავრი, გადაზიდეს 5,4 ათ. ტ ფოსტა და 10,5 ათ. ტ ტვირთი. სოფ. მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში ავიაქიმ. სამუშაო შეასრულეს 484 ათ. ჰა-ზე (იხ. აგრეთვე ტ. *საქართველოს სსრ*, თავი ეკონომიკა. ხალხის კეთილდღეობა).

პ. გარუწავა.

საჰაერო ფილტრი, ფილტრი, რ-იც მტვრისაგან წმენდს ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემებით სათავსში მისაწოდებელ ან ტექნოლოგიურ პროცესში (მაგ., ჟანგბადის მიღებისას), აირის ტურბინასა და შიგაწვის ძრავაში გამოსაყენებელ ჰაერს. მოქმედების ეფექტურობის მიხედვით ს. ფ. 3 კლასისაა; I კლასის ს. ფ. პრაქტიკულად სრულად იჭერს ყველა ზომის მტვერს („აბსოლუტური" ს. ფ.), II კლასისა ისეთ მტვერს იჭერს, რ-ის ნაწილაკების ზომა 1 *მკმ*-ზე მეტია, III კლასის ს. ფ-ით ჰაერი იწმინდება მხოლოდ 10 *მკმ*-ზე მეტი ზომის ნაწილაკების შემცველი მტვრისაგან. ყველაზე მეტადაა გავრცელებული ბოჭკოვანი, დაფუჭვილი და ზეთის ს. ფ-ები, რ-ებშიც მტვრის დაჭერა ხდება მისი ნაწილაკებისა და მფილტრავი მასალის (შრის) ფორების ზედაპირის კონტაქტის შედეგად. ბოჭკოვან ს. ფ-ში სხვადასხვა სიმკვრივის ფორიანი შრეები წარმოიქმნება ჩვეულებრივ მწებავი ნივთიერებებით შეკავშირებული ბოჭკოებისგან. ბოჭკოვან რულონურ ს. ფ-ში (ნახ.) მფილტრავი მასალის რულონებს ახვევენ ს. ფ-ის ზედა ნაწილში მდებარე კოჭებზე, დამტვერვის შემდეგ კი გადაახვევენ ქვედა კოჭებზე.

დაფუჭვილ ს. ფ-ში მფილტრავი შრის მასალაა დაფუჭვილი პენოპოლიურეთანი, რეზინი და სხვ. ზეთის ს. ფ-ში მფილტრავი შრე შედგება ლითონის ბადეების, პერფორირებული ფირფიტებისა და რგოლებისაგან, რ-ებიც დასველებულია მინერ. ზეთით. იყენებენ აგრეთვე ელექტრულ ს. ფ-ს.

საჰაერო ხლოტის დღე, ყოველწლიური დღესასწაული სსრკ-ში; აღინიშნება სსრკ სახკომსაბჭოს 1933 წ. 29 აპრ. დადგენილებით. ეწყობა ივლ. ან აგვ. ერთ-ერთ კვირა დღეს.


საჰაერო ხაზი, იგივეა რაც საავიაციო ხაზი, მიწის ზედაპირის ნაწილი, რ-ის ზევით გადის ს. ხ., წარმოადგენს მის ტრასას. სსრკ-ში ს. ხ-ები, სადაც ხორციელდება სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავთა რეისები, იყოფა საკავშ., ადგილ. და საერთაშ. ხაზებად. საკავშ. ს. ხ-ები დაკავშირებულია ერთმანეთთან. ისინი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქს აკავშირებენ რესპ. სამხარეო, საოლქო ცენტრებთან, საკავშ. მნიშვნელობის კურორტებთან. ადგილ. ს. ხ-ები ერთმანეთთან აკავშირებენ რ-ნებს, ხოლო მათი მეშვეობით დასახლებულ პუნქტებს, მსხვილ საბჭ. მეურნეობებსა და კოლ-ბებს საოლქო, სამხარეო და რესპ. ცენტრებთან. საერთაშ. ს. ხ-ები სსრკ-ს აკავშირებენ სხვა ქვეყნებთან (იხ. აგრეთვე *საჰაერო ტრანსპორტი*).

საჰაერო ხომალდის გატაცება, სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის მეტად საშიში აქტი, რ-იც ეროვნ. კანონმდებლობითა და საერთაშ. კონვენციებით კვალიფიცირებულია როგორც მძიმე სისხლის სამართ. დანაშაული. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წ. 3 იანვ. ბრძანებულებით „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ" და მის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართ. კოდექსებში მიღებული დამატებებით (კერძოდ, საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 242²) ს. ხ. გ-თვის მკაცრი სასჯელია დაწესებული (სიკვდილით დასჯაც კი). საჰაერო ხომალდის გამტაცებლის გადაცემას დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ან უსათუოდ მის დასჯას სისხლის სამართ. წესით ითვალისწინებენ ჰააგისა (1970) და მონრეალის (1971) კონვენციები. განსაზღვრულ პირობებში დამნაშავეთა გადაცემა გათვალისწინებულია აგრეთვე სსრკ-ის მიერ ს. ხ. გ-ის თავიდან აცილებისათვის თანამშრომლობის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებებში (ავღანეთთან — 1972, ირანთან — 1973, ფინეთთან — 1974).

წყარო: Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами, в. 29, М., 1975, с. 300—302, в. 30, М., 1976, с. 293—295, в. 31, М., 1977, с. 484—487.

რ. დეკანოზოვი.


საჰაერო ხრახნი, პროპელერი, მაძრავი, რ-შიც წევის ძალა იქმნება ძრავას რამდენიმე მბრუნავი ფრთის მეშვეობით. ამ ფრთების მუშა ზედაპირი საფრენი აპარატის ფრთის ფორმის მსგავსია და მათ ძრავა აბრუნებს. ს. ხ-ს იყენებენ თვითმფრინავებში, დირიჟაბლებში, აერომარხილებში და სხვ. შვეულმფრენებში ს. ხ. ძირითადად ამწევ ძალას ქმნის და მას მზიდი ხრახნი ეწოდება. დანიშნულების მიხედვით ს. ხ. არის მზიდი, წევისა და კომბინირებული; ამძრავის მიმართ განლაგების მიხედვით — მწეველი და წამბიძგებელი; კონსტრუქციის მიხედვით — ცვლადი და უცვლელი ბიჯისა და ა. შ.; უკუგდებული ჭავლის დაგრეხაზე დახარ-




ნახ. 1. ნორმალური სქემის თვითმფრინავი: 1—მობრუნების საჭე; 2—სიმაღლის საჭე; 3—ელერონი.



ნახ. 2. „უკუდო" ტიპის თვითმფრინავი: 1—მობრუნების საჭე; 2—ელევონი.



ნახ. 3. ფრთის ცვლადი ისრისებურობის თვითმფრინავი: 1—მობრუნების საჭე; 2—სტაბილიზატორი.



საჰაერო ფილტრი. ბოჭკოვანი რულონური ფილტრი: 1—სუფთა მფილტრავი მასალის მჭონე კოჭები; 2—ფილტრის მუშა კვეთი; 3—დამტვრიანებული მფილტრავი მასალის შემცველი კოჭები; 4 — მფილტრავი მასალის გადასახვევი რედუქტორული ამძრავი.


საჰაერო ხრახნი. თანაღერძული საჰაერო ხრახნი.



სგრაფიტო. ბ. ტალბერგი. კ. ციოლკოვსკის პორტრეტი. 1967. კ. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის მუზეუმი. კალუგა.

ჯული სიმბლავრის დანაკარგების შესამცირებლად იყენებენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მბრუნავ თანაღერძულ ს. ხ-ებს (ნახ.).

საპაკი ისპაკ იბნ ისმაილ, თბილისის ამირა 831–853, შუაბიანთა საგვარეულოდან. ს. აღარ ემორჩილებოდა ხალიფას და ითვისებდა ხარკს. ხალიფა ალ-მამუნის მიერ ს-ის წინააღმდეგ გაგზავნილმა სარდალმა ჰუსაინ იბნ ალიმ შეძლო უბრძოლველად მისი ხარკის მიცემაზე დაყოლიება. ხალიფა მუთასიმის დროს მუჰამად იბნ ხალიდს (არმინიის ვალი) მოკავშირედაც გაუხდა, მაგრამ შემდეგ კვლავ განდგა. მის წინააღმდეგ ორჯერ უშედეგოდ ილაშქრა სარდალმა ხალიდ იბნ იაზიდმა. ს-ს გარდაბნელები შეელობნენ. ხალიფის სიკვდილის შემდეგ აგრეთვე უშედეგოდ ილაშქრა ს-ის წინააღმდეგ მუჰამად იბნ ხალიდმა. ამის შემდეგ ს. იმდენად გაძლიერდა, რომ, არაბი ისტორიკოსის ალ-მასუდის ცნობით, მეზობელი ხალხებიც კი დაიმორჩილა და ხარკი დააკისრა. ქვეყნის შიგნით ს. შბარს უჭერდა კახეთის მმართველებს, რ-ებიც ქართლის შეერთებისათვის შებრძოლ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს ეწინააღმდეგებოდნენ.

853 აგვისტოში ხალიფა მუთავაქილის მიერ გამოგზავნილმა სარდალმა ბუღა თურქმა თბილისი აიღო, ს. შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973. *ა. ბოგვერაძე.*

საპარა (<არაბ. საჰრა — უდაბნო), დედამიწის უდიდესი ტროპიკული უდაბნო ჩრდ. აფრიკაში. უკავია აფრიკის კონტინენტის დაახლ. 1/4. გადაჭიმულია დასიდან აღმ-კენ 5700 *კმ*-ზე, ჩრდ-იდან სამხრკენ დაახლ. 2000 *კმ*-ზე.

ჭარბობს ვაკე რელიეფი, ატლანტის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო დაბლობი ვაკეა, ცენტრ. ნაწილში აღმართულია კანიონებითა და ხეობებით დანაწევრებული აჰაგარის (მთა ტაჰატა, 3003 *მ*) და ტიბესტის (მთა ემი-ქუსი, 3415 *მ*; ს-ის უმაღლესი წერტილი) მთიანეთები, რ-ებზეც შეინიშნება ნეოგენური და ანთროპოგენური პერიოდების ვულკ. მოქმედების კვალი. ზოგიერთი დაბზული ქვაბული ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს — ელ-ფაიუმი, სივა, კატარა და სხვ. (—133 *მ*, ლიბიის უდაბნოს ჩრდ. ნაწილში). ს-ის ლანდშაფტი მრავალფეროვანია. ტერიტ. 70% უჭირავს ქვიან უდაბნოს — *ჰამადას*, ქვიშიან უდაბნოს — *ერგსა* და მლაშობიან უდაბნოს — საბჰას. დანარჩენი ტერიტორია მთის ქვიან-ღორღიანი უდაბნოა.

გეოლოგიურად ს. წარმოადგენს აფრიკა-არაბეთის ბაქნის ჩრდ.-დას. ნაწილს. კამბრიულისწინა საფუძველი გაშიშვლებულია რაღიბათის, აჰაგარის, ტიბესტის, ელ-უვაინატის მასივებსა და ნუბია-არაბეთის ფარის დას. შვერილზე, რ-ებიც ქმნიან ცენტრ. ს-ის ამაღლების ზონას. ჩრდ. და სამხრ-ით გადაჭიმულია ჩრდ. ს-ისა და სამხრ. ს-ის დაძირვის ზონები, რ-ებიც ამოვსებულია ფანეროზოური ნალექებით. სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ნავთობი, აირი, რკინისა და სპილენძის მადნები, ოქრო, ვოლფრამი და ურანი.

ს-ის დიდ ნაწილში უდაბნოს, ტროპ, მშრალი და ცხელი ჰავაა, ჩრდ. ნაწილში— სუბტროპიკული. დამახასიათებელია ჰაერის სიმშრალე (შეფარდებითი სინოტივე 30–50%), სინოტივის დიდი დეფიციტი და მაღალი აორთქლებადობა (პოტენციური აორთქლება 2590–6000 *მმ*). ნალექები ჩრდ. ნაწილში უმთავრესად ზამთარში მოდის, სამხრ. ნაწილში — ზაფხულში. ნალექები ს-ის განაპირა რ-ნებში 100–200 *მმ* წელიწადში, ვაკეზე — 50 *მმ*-ზე ნაკლები, მთაში — 100 *მმ*-ზე ნაკლები. შიგა რ-ნებში ნალექები ზოგჯერ რამდენიმე წელიწადს არ მოდის, მაგრამ უეცრად წამოსული თავსხმა უადებში იწვევს წყალმოვარდნას, მთაში — სელს. ს-ის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია უხვი დილის ნამი. აჰაგარისა და ტიბესტის მწვერვალებზე თითქმის ყოველწლიურად მცირე დროით მოდის თოვლი. ს-ის სითბური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ჰაერის მაღალი ტემპ-რები და მათი დიდი დღეღამური და წლ. ამპლიტუდები. ტემპ-რა ზოგჯერ 56–58°C აღწევს (უახლოეს დედამიწის მაქსიმუმს), ხოლო ხმელეთის ზედაპირი ზოგჯერ 70–80°C-მდე ხურდება. ივლ. საშ. ტემპ-რა 37,2°C (ადრარი), ზამთარში ღამით იცის წაყინვები. მთაში ღამით აღნიშნულია ტემპ-რის — 18°C-მდე დაცემა. ხშირია ქარი და მრავალდღიანი მტვრის ქარბუქი.

მუდმივნაკადიანი ტრანზიტული მდინარე ს-ში მხოლოდ ნილოსია, უადების მშრალი კალაპოტები ძლიერი წვიმების შემდეგ მცირე დროით ივსება წყლით. ს-ის პერიფერიაზე და ცენტრ. მთიან რ-ნებში შემორჩენილია პატარა რელიქტური ტბები, რ-ებიც ხშირად დაჭაობებულია და მინერალიზებული. ს-ში არის მიწისქვეშა წყლის დიდი აუზები, მ. შ. არტეზიულიც.

ს-ის დიდ ნაწილში ტროპ. უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს ღორღიანი და ქვიშიანი ნიადაგებია, ხშირად — დამლაშებული. ს-ის მცენარეულობა ეკუთვნის ჰოლარქტიკულ ფლორისტიკულ ოლქს და შეიცავს ხმელთაშუა ზღვის მრავალ ელემენტს. ხარობს მრავალწლიანი გვალვის ამტანი მარცვლოვნები და ბუჩქნარი, აგრეთვე ეფემერები, მთაში გვხვდება მერქნიანი ჯიშები და ბუჩქნარი, სამხრ. ს-ში—აკაციები, იაღლუნი, ეფედრა, ოაზისებში — ფინიკის პალმა, ლეღვი, ზეთისხილი, ციტრუსები და სხვ. ს-ის ცხოველთა სამყარო ეკუთვნის ჰოლარქტიკულ და ეთიოპიის ზოოგეოგრაფიულ ოლქებს. ითვლიან დაახლ. ცხოველთა 4000 სახეობას, რ-თა უმრავლესობა უხერხემლოებს ეკუთვნის. ძუძუმწოვრები დაახლ. 60 სახეობაა, მ. შ. ანტილოპა ადაქსი, ანტილოპა შენდესი, აჰაგარისა და ტიბესტის მთიანეთში ქურციკი, მუფლონი, მაიმუნი, ტურა, გეპარდი, აფთარი და სხვ. ბევრია ქვეწარმავალი. აჰაგარის რელიქტურ წყალსაცავებში ბინადრობენ პატარა ნიანგები.

ს-ის მოსახლეობა მისდევს მომთაბარე მესაქონლეობას, ოაზისებში — მიწათმოქმედებას. ს-ის დიდი ქ-ებია: თუგურთი, უარგლა, ლაღუატი, ტუატი, ტიდიკელტი (ალჟირი), ქუფრა, საბჰა, ტაზერბო, ჯალბუბი, მარზუკი (ლიბია), სივა, დაბლა, ფარაფრა, ბაჰარია (ეგვიპტე).

საჰარანპური, ქალაქი ჩრდ.-აღმ. ინდოეთში, ზემო განგის აუზში, უტარ-პრადეშის შტატში. 294 ათ. მკხ. (1981). სარკინიგზო კვანძი. კვების, ხის დასამუშ., საფეიქრო, ქაღალდის მრეწველობა. სარკინიგზო საბელოსნოები.

საჰიანი ჰამო (ჰამაიაკ საჰაკის ძე გრიგორიანის ფსევდ.) [დ. 1 (14). IV. 1915, სოფ. ლორი, სისიანის რ-ნი, სომხ. სსრ], სომეხი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1946-იდან. პირველი ლექსი 1935 გამოაქვეყნა. ავტორია ლექსთა კრებულებისა „აფრა" (1947), „სიმაღლეებზე" (1955), „სომხეთი სიმღერებში" (1962), „დაისის წინ" (1963) და სხვ.

საჰო, ჩრდ.-აღმ. ეთიოპიაში მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 90 ათ. კაცი (1978, შეფასება). ენა — საჰო, განეკუთვნება ქუშიტურ ენებს. ს-ს ნაწილმა შეითვისა მეზობელი ხალხის — ტიგრინასა და ტიგრეს ენები. რელიგიით მუსლიმანები და ქრისტიანი მონოფიზიტები არიან. მათი ძირითადი საქმიანობაა მომთაბარე მესაქონლეობა. ვითარდება მიწათმოქმედება. ენითა და კულტურით ახლოს არიან დანაკილთან.

სბა, მდინარე ოსეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 2935 *მ*-ზე. სიგრძე 10,5 *კმ*, აუზის ფართ. 38,5 *კმ²*. სარდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულსა და ზაფხულშია, წყალმცირობა — ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 1,21 *მ³/წმ*. *ი. აფხაზავა.*

სბა, სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნის სოფლების *ქვემო სბისა* და *შუა სბის* ძვ. სახელწოდება.

„სბორნიკ მატერიალოვ დლია ოპისანია მესტნოსტეი ი პლემიონ კავკაზა" (სმომპკ, კავკასიის ადგილთა და ტომების აღწერის მასალათა კრებული), სერიული გამოცემა 46 ტომად. აქედან 44 ტ. გამოიცა თბილისში (1881–1915), ხოლო 2 ტ. — მაჰაჩყალაში (1926 და 1929). გამოცემის ინიციატორი იყო კავკ. სასწ. ოლქის ზედამხედველი კ. იანოვსკი (1822–1902). სმომპკ-ის გამოცემაში დიდი როლი ითამაშა პედაგოგმა და მეცნიერმა ლ. ლოპატინსკიმ (1842–1922), რ-ის რედაქციითაც გამოქვეყნდა 25 ტომი. კრებულში თანამშრომლობდნენ რუსი კავკასიისმცოდნეები და ადგილ. ინტელიგენციის წარმომადგენლები. მასში ქვეყნდებოდა ისტ.-ეთნოგრ. გეოგრ., ფოლკლორული მასალები და ნარკვევები, ძვ. ისტ. ქრონიკები. გამოცემის მიზანი იყო კავკ. ცალკეული სოფლების მონოგრაფიული შესწავლა. კრებულს დიდი მნიშვნელობა აქვს კავკ. მოსახლეობის ისტ. წარსულის, ეთნოგრ. ყოფის, სულიერი კულტ. და გეოგრ. შესწავლისათვის.

ვ. ითონიშვილი.

„სბორნიკ სვედენიი ო კავკაზსკიხ გორცახ" (სსოკგ, კავკასიელ მთიელთა შესახებ ცნობების კრებული), კავკასიის მთიელთა სამმართველოს ყოველწლიური სერიული გამოცემა; გამოდიოდა თბილისში 1868–1881. გამოვიდა 10 ტომი, აქედან 9 ტ. 1868–76. X ტ. იმავე სახელწოდებით გამოსცა კავკასიის სამხ.-სახ. სამმართველომ რუს. გეოგრ. საზ-ბის კავკ. განყ-ბის მონაწილეობით. რედაქტორი — ნ. ვორონოვი (1832–1888). კრებულში იბეჭდებოდა ისტ.-ეთნოგრ. და ფოლკლორული ხასიათის მასალები და ნარკვევები. სსოკგ დღესაც უმნიშვნელოვანესი წყაროა კავკ. ეთნოგრ., ისტ. და ფოლკლორის სპეციალისტებისათვის.

ვ. ითონიშვილი.

„სბორნიკ „სოციალ-დემოკრატა"», ბოლშევიკური ჟურნალი, გამოვიდა 1916 ჟენევაში ვ. ი. ლენინის ინიციატივით; გამოსცემდა რსდმპ-ის ცენტრ. ორგანოს „სოციალ-დემოკრატის" რედაქცია. გამოვიდა 2 ნომერი, რ-ებშიც გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის ნაშრომები: „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები)", „ახალგაზრდობის ინტერნაციონალი", „ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი" და სხვ. მომზადებული იყო ჟურნალის მე-3 ნომერიც, რ-შიც უნდა დასტამბულიყო ლენინის სტატია «მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის" შესახებ», მაგრამ უსახსრობის გამო ამ ნომრის გამოცემა ვერ განხორციელდა.

სგრაფიტო, გრაფიტო (იტალ. sgraffito ან graffito, სიტყვასიტყვით — ამოკაწრული), მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის სახესხვაობა, რ-ის პრინციპია ბათქაშის ზემო თხელი შრის ამოკაწერა ფერით განსხვავებული ქვედა ფენის გამოჩენამდე. ძველად ს-ს იყენებდნენ კერამიკაში (არქაული ბერძნ. და ეტრუსკული ლარნაკები). XV–XVII სს-ში ს., როგორც კედლის მორთულობა, გავრცელდა იტალიაში, შემდეგ გერმანიასა და ჩეხეთში. ს-ს ფართოდ იყენებენ XX ს. მონუმ.-დეკორ. ხელოვნებაში.

სგურიში, სოფელი მესტიის რ-ნში (ჭუბერის სოფსაბჭო), მდ. ნენსკრის ხეობაში, ზ. დ. 980 *მ*, მესტიიდან 77 *კმ*. ჭუბერის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, 2 ბ-კა. საფერშლო პუნქტი.

სეარა (Ceará), შტატი ჩრდ.-აღმ. ბრაზილიაში, უჭირავს ატლანტის ოკ. სანაპირო და ბრაზ. ზეგნის ჩრდ.-აღმ. კიდეები. ფართ. 148 ათ. *კმ²*. მოსახლ. 5,4 მლნ კაცი (1977). ადმ. ც. — ქ. ფორტალეზა.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. მოპყავთ ბამბა, ბანანი, შაქრის ლერწამი, მანიპოტი, სიმინდი, ლობიო, ყავა, თამბაქო. აგროვებენ კარნაუბის პალმის ცვილს (I ადგილი ქვეყანაში), ბრაზ. კაკალს, ნატურალურ კაუჩუკს. გვალვიან რ-ნებში მისდევენ მესაქონლეობას. განვითარებულია საფეიქრო, ხორცსაკონსერვო, შაქრის მრეწველობა.

სეატო (SEATO, შემოკლებული ინგლ. South-East Asia Treaty Organization—სამხრ.-აღმ. აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია), აშშ-ის ინიციატივით შექმნილი სამხ.-პოლიტ. დაჯგუფება (მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აშშ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ, პაკისტანმა, ტაილანდმა და ფილიპინებმა 1954 წ. 8 სექტ. ქ. მანილაში, ძალაში შევიდა 1955 წ. 19 თებ.). მისი მთავარი ამოცანა იყო სამხრ.-აღმ. აზიაში ეროვნ.-განმათ. მოძრაობისა და პროგრ. პოლიტ. ძალების წინააღმდეგ ბრძოლა. ვიეტნ. ხალხის მიერ იმპერიალიზმის ძალებზე და სამხრ. ვიეტნამში მის აგენტურაზე გამარჯვების მოპოვებისა (1975 აპრ.) და სამხრ.-აღმ. აზიაში დემოკრატიული ძალების პოზიციების განმტკიცების ვითარებაში სეატოს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (1975 სექტ.) ამ ორგანიზაციის დაშლის შესახებ.

სებასტიანო დელ პიომბო (Sebastiano del Piombo; ნამდვ. გვარი ლუჩანი, Luciani) (დაახლ. 1485, ვენეცია, — 21. VI. 1547, რომი), იტალიელი მხატვარი. სწავლობდა ჯ. ბელინისთან. თანამშრომლობდა ტიციანთან და ჯორჯონესთან, რ-თა გავლენა იგრძნობა მის ვენეციური პერიოდის ნაწარმოებებში. ს. დ. პ-ს მიერ მოხატული საკურთხეველი ვენეციის სანჯოვანი კრიზოსტომოს ტაძარში (1508—10 წწ.) ყურადღებას იქცევს ნათელი, ცხოველი ფერებით. 1511 ს. დ. პ. რომში დაუახლოვდა რაფაელს, რ-ის გავლენით მის ნამუშევრებს მოემატა პერსპექტიული სიღრმე, ლაკონიურობა. 1514-იდან მიქელანჯელოსთან სიახლოვემ გავლენა იქონია ს. დ. პ-ს კომპოზიციებზე („ლაზარეს აღდგინება", 1519, ლონდონის ეროვნ. გალერეა). ს. დ. პ-ს 1530—40-იანი წწ. ნამუშევრებში იგრძნობა მაღალი აღორძინების ხელოვნ. პრინციპების კრიზისი.

სებასტოპოლისი, ქ. *სოხუმის* ერთ-ერთი ისტორიული სახელწოდება, რ-იც ახ. წ. I ს-ში რომაელთა მიერ აქ დაარსებული ციხესიმაგრის სახელიდან მომდინარეობს.

სებეოსი, VII ს. სომეხი ისტორიკოსი. თავის „ისტორიაში" აღწერილი აქვს ირან-ბიზანტ. ომები VII ს-ში, არაბთა ლაშქრობები, სომხ. საშინაო ვითარება და სხვ. საგულისხმოა მისი ცნობები საქართვ. შესახებ.

თხზ.: История епископа Себеоса, пер. с арм., Ер., 1939.

სებინი, ბგერითი ტალღის ენერგიის შთანთქმის ერთეული, რ-იც ტოლია 1 კვადრატული ფუტი ზედაპირის მიერ შთანთქმული ენერგიისა, თუ ამ ზედაპირზე დაცემული ენერგია არ აირეკლება (ზედაპირის შთანთქმის კოეფიციენტი 1 ტოლია).. ეს სახელი უწოდეს ამერ. აკუსტიკოსის უ. სებინის (W. Sabine; 1868—1919) პატივსაცემად. თვალსაჩინო წარმოდგენას ისეთი ზედაპირის შესახებ, რ-იც სრულიად არ არეკლავს ბგერას, იძლევა ღია სარკმელი, საიდანაც (თუ უგულებელვყოფთ კიდურ ეფექტებს) ბგერითი ენერგია მთლიანად გარეთ გამოდის. ამიტომ ს-ს ზოგჯერ ღია სარკმლის ერთეულს უწოდებენ. შთანთქმას ს-ით განსაზღვრავენ როგორც ზედაპირის ერთგვაროვნად უბნების ფართობების (კვადრ. ფუტობით) თავიანთი შთანთქმის კოეფიციენტზე ნამრავლთა ჯამს.

სსრკ-ში მიღებულია ერთეული, რ-საც განსაზღვრავენ როგორც 1 $м^2$ ფართობის მქონე ღია სარკმლის ზედაპირის შთანთქმას (ზოგჯერ მას მეტრულ ს-ს უწოდებენ).

სებისკვერაძე კუჭა დავითის ძე (დ. 16. II. 1938, სოფ. მურღე ობჩა, მაიაკოვსკის რ-ნი), ორჩამურის ჩაის საბჭ. მეურნეობის მექანიზატორი, სკკპ წევრი 1971-იდან. 1975—79 ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოთი" უხვი მოსავლის მიღებისათვის 1979 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სებორეა (seborrhoea<ლათ. sebum — ცხიმი და ბერძნ. rheō — მივედინები), კანის დაავადება, ახასიათებს ცხიმის ჯირკვლების სეკრეტორული ფუნქციის დარღვევა. ჩვეულებრივ ვითარდება სქესობრივი მომწიფების პერიოდში. ეტიოლოგია და პათოგენეზი ჯერ არ არის საკმაოდ შესწავლილი. ფიქრობენ, რომ ს. ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევასთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონ. მოშლასაც. ს-ის დროს ზიანდება თავის, სახის, გულმკერდისა და ზურგის კანი. განარჩევენ ცხიმოვან, მშრალ და შერეულ ს-ს. ცხიმოვანი ს-ის დროს კანი ცხიმიანია, პრიალებს; მოცილების შემდეგ ცხიმი ისევ სწრაფად გროვდება, ცხიმის ჯირკვალთა შესართავები გაფართოებულია, პირღია. ხშირად ჩნდება ფერმოსმეტი ლები. მშრალი ს-ის დროს თავის თმიან ნაწილზე ჩნდება უხვი, ქატოსმაგვარი ქერტლი, თმას თითქოს პუდრი აფრია. ზიანდება უმეტესად თავის თმიანი ნაწილის, წარბებისა და წვერ-ულვაშის კანი. ახასიათებს ქავილი, თმის ცვენა, რასაც მოსდევს *სიმელოტე*. კანზე (უფრო ხშირად სახეზე) წარმოიქმნება მრგვალი ან ოვალური ჰიპერემიული ლაქები მკვეთრად გამოხატული საზღვრებით და თხელი აზბესტისებრი ქერცლით. შერეული ს-ის დროს სახის კანსა და თავის თმიან ნაწილზე ჭარბობს ცხიმოვანი ს-ის, ხოლო ზურგსა და მკერდზე — მშრალი ს-ის ნიშნები. მკურნალობა: ცხიმის შემზღუდველი დიეტა: A, B, E ვიტამინები, ენდოკრინული და დამამშვიდებელი პრეპარატები; ადგილობრივად— 2%-იანი სალიცილის ან რეზორცინის სპირტი, სუგლიკოლი, ეერცხლისწყლის ყვითელი მალამო. *დ. საყვარელიძე.*

სებარისი კარლ [დ. 5 (18). II. 1914, დაბა სინოლე, ახლანდ. გულბენეს რ-ნი], ლატვიელი საბჭ. მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1974). დრამ. კურსების დამთავრების შემდეგ (1938) მუშაობა დაიწყო ეროვნ. თეატრის დასში, ახლანდ. ა. უპიტის სახ. ლატვ. დრამ. თეატრში (რიგა). შეასრულა სატინის (გორკის „ფსკერზე") პორფირი პეტროვიჩის (დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი"), ტობი ბელჩის, ფალსტაფის („შექსპირის „მეთორმეტე ღამე", „ჰენრი IV"), ფილიპე II-ის („შილერის „დონ კარლოსი"), კოლა ბრიუნიონის (როლანის „კოლა ბრიუნიონი") და სხვ. როლები. 1948-იდან იღებენ კინოში (კვიესისი — «„ტობაგო" კურსს იცვლისო», 1965; გლოსტერი — „მეფე ლირი", 1970; ბერინგი — „ბალადა ბერინგზე", 1970 და სხვ.).

სებუ (Cebú), ქალაქი და საექსპორტო ნავსადგური ფილიპინებში, კ. სებუს აღმ. ნაწილში, სებუს პროვ. ადმ. ცენტრი, 490 ათ. მცხ. (1980). ქვეყნის მეორე (მანილის შემდეგ) ეკონ. და კულტ. ცენტრი. სავაჭრო-გამანაწილებელი პუნქტი. სოფ. მეურნ. პროდუქციის გადამუშავება, ქოქოსის ზეთის დიდი ფ-კა. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი კ. მაქტანზე (ს-თან შეერთებულია 800-მეტრიანი ხიდით). სან-კარლოსის უნ-ტი (დაარსდა 1595).

სებაჯორების აჯანყება (ესპ. Guerra de los segadores) „მომკელთა ომი", 1640—52 აჯანყება კატალონიაში ესპანეთის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. მიმდინარეობდა ესპანეთ-საფრანგეთის ომის (1635 — 59) დროს. უშუალო საბაბი გახდა სახელმწ. გადასახადის ზრდა, კატალონიელების ძალდატანებით გაწვევა იტალიაში მყოფ ესპ. არმიაში და სხვ. 1640 წ. 22 მაისს რამდენიმე ათასი შეიარაღებული გლეხი ბარსელონაში შევიდა. აჯანყება მთელ კატალონიას მოედო. აჯანყებულებმა მუდმივი კავშირის ხელშეკრულება (1640 დეკ.) დადეს საფრანგეთთან. 1640 დამლევს საფრ. ჯარები კატალონიაში შევიდნენ. 1641 იანვ. კატალ. კორტესმა უარყო ესპ. მეფე ფილიპე IV და საფრ. მეფე ლუი XIII ბარსელონის გრაფად გამოაცხადა. 1651 ესპ. ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბარსელონას. ფრანგები დამარცხდნენ. 1652 ოქტ.ბარსელონამ კაპიტულაცია გამოაცხადა. 1653 ფილიპე IV იძულებული გახდა დაედასტურებინა კატალონიის უფლებები ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

სებანტინი (Segantini) ჯოვანი (15. I. 1858, არკო, ტრენტინო-ალტო-ადიჯე, — 28. IX. 1899, შაფბერგი, ქ. პონტრეზინის ახლოს, შვეიცარია), იტალიელი ფერმწერი. 1876-იდან სწავლობდა მილანის სამხატვრო აკადემიაში. 1885-იდან მუშაობდა შვეიცარიაში. განიცადა ჟ. *მილეს* გავლენა. ს. იყენებდა *დივიზიონიზმის* ტექნიკას. ნახატებში ასახა სოფლური ყოფა-ცხოვრება, შექმნა ალპების მთისწინეთის დიდებული პეიზაჟები („ორი დედა", 1890, თანამედროვე ხელოვნ. გალერეა, მილანი; „ალპური ტრიპტიქი", 1896—99, სეგანტინის მუზეუმი, სანქტ-მორიცი). ს-ს გვიანდ. ნამუშევრებში სიმბოლიზმის გავლენა შეინიშნება.



სებასტიანო დელ პიომბო. საკურთხეველის კომპოზიცია „წმ. იოანე ოქროპირი ტაძრის წმინდანებთან ერთად". ფრაგმენტი. 1508—10. სანჯოვანი კრიზოსტომოს ეკლესია. ვენეცია.

სეგარელი (Segarelli) გერარდო (დ. წ. უცნობია, ალსენო, პიაჩენცის მახლობლად, — 18. VII. 1300, პარმა), გლეხი, *აპოსტოლიკების* სექტის დამაარსებელი იტალიაში. ქადაგებდა ქონებრივ თანასწორობას, ამხელდა კათოლ. სამღვდელოების სიხარბესა და უქნარობას. მრავალი მიმდევარი გაუჩნდა ჩრდ. იტალიაში, რომის პაპების მიერ აპოსტოლიკების განკიცხვის შემდეგ ს. დააპატიმრეს 1294 (პარმაში). ბონიფაციუს VIII-ის განკარგულებით დაწვეს.


სეგედი (Szeged), ქალაქი სამხრ. უნგრეთში, იუგოსლ. საზღვართან, მდ. ტისის ნაპირზე, მდ. მაროშის შესართავის მახლობლად. ჩონგრადის მედიცის ადმ. ცენტრი. 172 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო კვანძი, სამდ. ნავსადგური. საფეიქრო, კვების, ტყავ-ფეხსაცმლის, ხის დასამუშ. მრეწვ., სამკერვალო, ლითონდასამუშ., რეზინტექ. ნაკეთობათა, აირსაწმენდი საწარმოები. გემთსაშენი. უნ-ტი. სამედ. და პედ. ინ-ტები.

სეგეჟა, ქალაქი კარელ. ასსრ-ში, ვიგოზეროს წყალსაცავის დას. ნაპირზე, თეთრი ზღვა—ბალტიის არხის ტრასაზე. სეგეჟის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. ცელულოზა-ქაღალდის და ხის დასამუშ. კომბინატები.

სეგერსი (Seghers) ჰერკულეს [1589 ან 1590, ჰარლემი (?) — დაახლ. 1638, ჰაага (?)], ჰოლანდიელი ფერმწერი და გრავიორი. 1606-მდე სწავლობდა გ. კონინქსლოსთან ამსტერდამში. ს-ის პეიზაჟები გამოირჩევა შუქ-ჩრდილის ეფექტით, დრამატულობით. ს. ქმნიდა ოფორტებს, მ. შ. ფერადებს. მისმა შემოქმედებამ გავლენა იქონია *რემბრანდტსა* და ი. *რეისდალზე*.

სეგმენტაცია (ბიოლ.), 1. მორფოლოგიაში — ზოგი ცხოველის სხეულის ან ცალკეული ორგანოს დაყოფა მსგავს სეგმენტებად; 2. ემბრიოლოგიაში — კვერცხის თანამიმდევრული გაყოფა.

სეგმენტი (ლათ. segmentum — მონაკვეთი, ზოლი < seco — ვჭრი, ვკვეთავ), 1. ს. სიბრტყეზე, ბრტყელი ფიგურა, რ-იც მოთავსებულია წირსა და მის ქორდას შორის; წრის ს. — წრის ნაწილი, რ-იც შემოსაზღვრულია რკალითა და მისი ქორდით (იხ. ნახ.). 2. ს. სივრცეში, სხეულის ნაწილი, რ-იც შემოსაზღვრულია



სეგმენტი. სეგმენტის ისარი

$$h=r-\sqrt{r^2-\frac{a^2}{4}}=$$

$$=r\left(1-\cos\frac{\alpha}{2}\right),$$ ჭორდა $a=$

$$=2\sqrt{2hr-h^2}=2r\sin\frac{\alpha}{2},$$

რკალის სიგრძე $l=\frac{2\pi r\alpha^\circ}{360^\circ}=$


$$=r\alpha,$$ სადაც r არის წრის რადიუსი, α° და α რკალის შესაბამისი ცენტრალური კუთხე გრადუსებსა და რადიანებში; ფართობი $S=r^2\left(\frac{\pi\alpha^\circ}{180^\circ}-\sin\alpha^\circ\right)/2=$

$$=r^2(\alpha-\sin\alpha)/2=[lr-a(r-h)]/2.$$

სიბრტყითა და მის მიერ მოკვეთილი ზედაპირის ნაჭრით; სფეროს ს-ის შესახებ იხ. *სფერული სეგმენტი*. 3. იგივეა, რაც მონაკვეთი (იხ. სტ. *ინტერვალი და სეგმენტი*).

სეგმენტი (ბიოლ.), ორგანიზმის სხეულის ან მისი ცალკეული ნაწილების უბნები, რ-თაც თანმიმდევრული განლაგება და მსგავსი აგებულება აქვთ. იმ ცხოველების სხეულში, რ-თაც *მეტამერია* ახასიათებთ, ს-ები იგივეა, რაც მეტამერები; ს. ეწოდება რთული ფოთლის განცალკევებულ ნაწილს (იხ. *ფოთოლი*), აგრეთვე უჯრედის ზოგიერთი ნაწილის (ქრომოსომა, განივზოლიანი კუნთის ბოჭკოს მიოფიბრილი, ზოგი უჯრედის დანაკეთული ბირთვი და სხვ.) უბანს (იხ. *სეგმენტაცია*). *ლ. ნათაძე.*

სეგნეტის მარილი, $KOOC(CHOH)_2COONa\cdot 4H_2O$. *ლვინომჟავას* ორმაგი მარილი. აღმოაჩინა ფრანგმა მეაფთიაქემ ე. სენიეტმა (E. Seignette, 1632—98), სახელი ეწოდა მის პატივსაცემად. უფერული კრისტალები, იშლება 55,6°C. კარგად ისსნება წყალში. იყენებენ მედიცინაში; ს. მ-ს ახასიათებს განსაკუთრებული დიელექტრიკული თვისებები (იხ. *სეგნეტოელექტრიკები*).



სეგნეტოელექტრიკები. $BaTiO_3$ ტეტრაგონური მოდიფიკაციის დომენების სქემატური გამოსახულება. ისრებით და ⊙, ⊖ ნიშნებით ნაჩვენებია **P** ვექტორის მიმართულებები.

სეგნეტოელექტრიკები, კრისტალური დიელექტრიკები, რ-თაც ტემპერატურის გარკვეულ ინტერვალში აქვთ სპონტანური (თავისთავადი) პოლარიზაცია, რ-იც მნიშვნელოვნად იცვლება გარე ზემოქმედების შედეგად. ს-ის ელექტრული თვისებები წააგავს ფერომაგნეტიკების მაგნ. თვისებებს. აქედან წარმოდგება ს-ის საზღვარგარეთ მიღებული მეორე დასახელება—**ფეროელექტრიკები.** ბუნებაში ცნობილია რამდენიმე ასეული ს. მათგან ყველაზე მეტადაა შესწავლილი სეგნეტის მარილი (რისგანაც წარმოდგება სეგნეტოელექტრული ჯგუფის კრისტალების სახელწოდება), ბარიუმის ტიტანატი, ტრიგლიცინსულფატი, კალიუმის დიჰიდროფოსფატი და სხვ.

სპონტანური პოლარიზაცია, ე. ი. ელექტრული *დიპოლური მომენტის* თავისთავადი არსებობა, როცა ელექტრული ველი არ არსებობს, დიელექტრიკების უფრო ფართო კლასის — *პიროელექტრიკების*—განმასხვავებელი ნიშანია. სხვა პიროელექტრიკებისაგან განსხვავებით, მონოკრისტ. ს-ის სპონტანური პოლარიზაციის მიმართულება და სიდიდე შეიძლება საკმარისად ადვილად შეიცვალოს ელექტრული ველის ან დრეკადი ძაბვების მოქმედებით, ტემპ-რის ცვლილებით და ა. შ.

ს. არ არის ერთგვაროვნად პოლარიზებული კრისტალები (*დომენებისაგან* შედგება). ამის გამო გარე ზემოქმედების გარეშე ნიმუშის ჯამური ელექტრული დიპოლური მომენტი ნულის ტოლია. გარე ელექტრული ველის ზეგავლენით დომენების საზღვრები ისე წაინაცვლებს, რომ ველის გასწვრივ პოლარიზებული დომენების მოცულობა გაიზრდება იმ დომენთა მოცულობის ხარჯზე, რ-ებიც პოლარიზებული არიან ველის საწინააღმდეგოდ. თუ გარე ველი ძალიან დიდია, შესაძლებელია კრისტალი გახდეს ერთდომენიანი, ე. ი. მთლიანად ველის გასწვრივ პოლარიზებული.

ს-ის გახურებისას სპონტანური პოლარიზაცია, როგორც წესი, ისპობა კიურის ტემპ-რის დროს.

სეგნეტოელექტრულ მასალებს (მონოკრისტალებს, კერამიკას, აფსკებს) ფართოდ იყენებენ ტექნიკასა და სამეცნ. ექსპერიმენტებში, დიდი კუთრი ტევადობის კონდენსატორებში, ბეგერისა და ულტრაბგერის პიეზოელექტრულ გამომსხივარებსა და მიმღებებში, წნევის გადამწოდებში, ოპტიკურ სისტემებში, რადიოელექტრონიკაში, ავტომატიკაში, გამოთვლითს ტექნიკაში, ტემპ-რის დისტანციური გაზომვისა და კონტროლისათვის და სხვ.

ლიტ.: Иона Ф., Ширане Д., Сегнетоэлектрические кристаллы, пер. с англ., М., 1965; Сегнетоэлектрики и антисегнетоэлектрики, Л., 1971.

სეგნეტოელექტრობა, იმ დიელექტრიკების ჯგუფისათვის დამახასიათებელი ელექტრული თვისებების ერთობლიობა, რ-ებიც *სეგნეტოელექტრიკებადაა* წოდებული და *პიროელექტრიკების* სახესხვაობას წარმოადგენენ.

სეგოზერო, ტბა კარელიის ასსრ-ში. სამ. სიღრმე 6,2 *მ*, მაქს. — 97 *მ*, მოცულობა 17,8 $კმ^3$. ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილია. საზრდოობს თოვლის და წვიმის წყლით. დონე ცვალებადობს 2,4 *მ* ფარგლებში. იყინება დეკ-ში, ყინულძვრაა მაისში. ს-დან გამოდის მდ. სეგეჟა, ერთვის — ვიგოზეროს წყალსაცავს. სეგეჟაზე აგებულმა ჯებირმა წყალი შეაგუბა და ს. გადაიქცა წყალსაცავად. წყლის მოცულობა გაიზარდა 21,5 $კმ^3$-მდე.

სეგრე (Segré) ემილიო ჯინო (დ. 1. II. 1905, ტივოლი, რომის მახლობლად), იტალიელი ფიზიკოსი. დაამთავრა რომის უნტი (1928). 1930—36 მუშაობდა რომის უნ-ტში, 1936—38 — პალერმოს უნ-ტში, 1938-იდან — კალიფორნიის უნ-ტში (1946-იდან პროფესორი), 1943—46 — აშშ-ის ლოს-ალამოსის ნაციონალურ ლაბორატორიაში. 1934—36 მონაწილეობდა პროტონებით გამოწვეული ბირთვული რეაქციების შემსწავლელი ე. *ფერმის* ჯგუფის მუშაობაში. მონაწილეობდა ტექნეციუმის (1937), ასტატინის (1940), პლუტონიუმის (1940—41) აღმოჩენაში. ო. ჩემბერლენსა და სხვებთან ერთად პირველმა მიიღო ანტიპროტონები (1955). აშშ-ისა და იტალ. ნაციონალური აკადემიების წევრი. ნობელის პრემია (1959).

სეგრეგაცია (გვიანდ. ლათ. segregatio — გამოყოფა), ბურუსაზიულ ქვეყნებში რასობრივი ჯგუფების იძულებითი გამოყოფა, რ-თანაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ეროვნ. ჯგუფის *დისკრიმინაცია* მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად შეიძლება აღიარებული იყოს რასათა თანასწორუფლებიანობის პრინციპი (მაგ., აშშ-ში). განასხვავებენ ინსტიტუციონალურ ს-ს, რ-იც ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება (სკოლებში, უნ-ტებში, საავადმყოფოებში და სხვ.) და ტერიტ. ს-ს, როცა რასობრივი ჯგუფები ლოკალიზებული არიან მათთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე.

სეგრეგაცია მეტალურგიაში, 1. შენადნობების ქიმიური შედგენილობის არაერთგვაროვნება, იგივეა, რაც *ლიკვაცია* (მეტალ.). 2. ს. ფერად მეტალურგიაში, დაჟანგული მადნის გამოწვისა და მისი შემდგომი გამდიდრების მეთოდი. ს-ის მიზანია ძნელად გასამდიდრებელ მადნებში შემავალი ძვირფასი ლითონების გარდაქმნა 20—40 *მკმ* ზომის ლითონის მარცვლებად, შემდეგ კი მათი ამოკრება *ფლოტაციის* ან მაგნ. *სეპარაციის* მეთოდებით. სეგრეგაციული მოწვისათვის მადანს ახურებენ Cl-ის შემცველ მარილებასა და აღმდგენთან ერთად ტენის თანხლებით. გამოწვის პროცესში გამოყოფილი ქლორწყალბადი დაქლორავს ძვირფას ლითონებს და წარმოქმნის აქროლად ქლორიდებს, რ-ებიც მყარ აღმდგენზე წყალბადით აღდგებიან ლითონურ მდგომარეობამდე (ამავე დროს მიმდინარეობს HCl-ის რეგენერაცია). პროცესს იყენებენ Cu, Ni, Co, Pb, Sn, Sb, Bi, Ti, Au, Ag და სხვათა ამოსაკრებად.

დაჟანგული სპილენძის მადნების ს-ს 2 საფეხურად ატარებენ: ჯერ დაწვრილმანებულ მადანს ნახშირის მისართთან ერთად ახურებენ 800 — 820°C-მდე, შემდეგ ცხელი მასალა გადააქვთ სასეგრეგაციო რეაქტორში, უმატებენ ნახშირსა და ქვამარილს. ცხელი ნამწვი რეაქტორიდან ღარზე წყლის ჭავლით ჩამოირეცხება და მიემართება საფლოტაციოდ (Na_2S დანამატთან ერთად). დაჟანგული ნიკელის მადნების ს-ისას გამოწვა უფრო მაღალ ტემპ-რაზე მიმდინარეობს.

სეგრეგაცია სამთო საქმეში, ფხვიერი მასალის მარცვლების განაწილება შრეში მათი სისხოს მიხედვით. მასალის (ნახშირის, მადნისა და სხვ.) შტაბელის დაყრის დროს მსხვილი ნაჭრები ქვედა შრეში თავს იყრის მასალის მსხვილი ნაჭრები. ს-ის სხვა შემთხვევაში ვიბრაციის ზემოქმედებით წვრილი მარცვლების კონცენტრაცია ხდება შრის ქვედა ნაწილში. ს-ის პრინციპს იყენებენ სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების დროს (მაგ., საკონცენტრაციო მაგიდაზე მინერ. ნარევის განცალკევებისას).


სეგუ (Segou), ქალაქი მალიში, მდ. ნიგერის მარჯვ. ნაპირზე. სეგუს ოლქის ადმ. ცენტრი. 36 ათ. მცხ. (1976). საავტ. გზების კვანძი. სას.-სამ. რ-ნის (არაქისი, ბრინჯი, ფეტვი, მესაქონლეობა) სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო კომბინატი.

სედანი [ტერმინის წარმოშობის ისტორია უცნობია, ჩვეულებრივ უკავშირებენ საფრ. ქალაქ სედანის (Sedan) სახელწოდებას], ისეთი მსუბუქი ავტომობილის ძარას სახელწოდება, რ-საც აქვს 4 კარი და საჯდომების 2 მწკრივი მაინც. სსრკ-ში გამოშვებული ავტომობილების უმრავლესობას აქვს ს-ის ტიპის ძარა (მაგ. ვაზ-2101, „მოსკვიჩ-412", გაზ-24 „ვოლგა").

სედანის ბრძოლა, ბრძოლა საფრანგეთის შალონის არმიასა (სარდალი მარშალი მ. ე. მაკ-მაჰონი) და გერმანიის არმიებს (ფაქტობრივად სარდლობდა გენ. ჰ. მოლტკე) შორის სედანის (ქ. საფრ. ჩრდ.-აღმ-ით) რ-ნში 1870 წ. 1—2 სექტ., ს.-პრუსიის (1870—71) ომის დროს. 1870 წ. 1 სექტ. გერმ. მე-3 და მე-4 არმიებმა (224 ათ. კაცი, 813 ქვემეხი) ალყა შემოარტყეს საფრ. შალონის არმიას (120 ათ. კაცი, 393 ქვემეხი). ერთდღიანი გაფთრებული ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა იარაღი დაყარეს. ტყვედ ჩავარდა ნაპოლეონ III, რ-მაც ხელი მოაწერა კაპიტულაციას. შალონის არმიის დამარცხებამ დააჩქარა საფრ. იმპერიის კრახი.

სედერტელიე (Södertälje), ქალაქი შვეციაში, სტოკჰოლმის ლენში, ფაქტობრივად დედაქალაქის გარეუბანი. 79,4 ათ. მცხ. (1980). ავტომშენებლობა, ფარმაცევტული, ცემენტის მრეწვ., რძის მრეწვ. მოწყობილობის წარმოება.

სედერჰოლმი (Sederholm) იაკობ იოჰანეს (20. VII. 1863, ჰელსინკი, — 26. VI. 1934, იქვე), ფინელი გეოლოგი. 1888-იდან მუშაობდა ფინეთის გეოლ. კომიტეტში (1893—1933 დირექტორი). ს-ის ძირითადი შრომები ეხება ფინეთის კამბრიულისწინა ასაკის შანების გეოლოგიისა და პეტროგრაფიის საკითხებს. ს-მა შემოიღო ტერმინები „პალინგენეზისი" და „მიგმატიტი". დაამუშავა მოძღვრება მიგმატიტების შესახებ, რ-იც საფუძვლად დაედო



სეგრეგაცია მეტალურგიაში. დამხმარე მოწყობილობიანი სეგრეგაციის კამერა: 1—მდუღარე შრის ღუმელი, 2—რეაქტორი; 3,4—მკვებაველი ნახშირისა და ქვამარილისათვის; 5—ღარი.

გრანიტიზაციის თეორიის შემუშავებას. ს-ის სახელი ეწოდა მინერალს—სედრაჰოლმიტი — β-NiSe.

სედიაკინი ალექსანდრე იგნატის ძე [14 (26). XI. 1893 — 29. VII. 1938], საბჭ. მხედართუფროსი, მე-2 რანგის კომანდარმი (1936). სკკპ წევრი 1917-იდან. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914—18), 1917-იდან ჯარისკაცთა კომიტეტების მუშაობაში. სამოქალაქო ომის (1918—20) დროს მეთაურობდა ცალკე ბრიგადას, მსროლელ დივიზიებს, იყო სამხრ. ფრონტის შტაბის უფროსი და სხვ. ომის შემდეგ სამეთაურო თანამდებობები ეკავა მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში (მგწა). 1933—36 მგწა-ის შტაბის უფროსის მოადგილე. 1936-იდან მგწა-ის ჰაერსაწინააღმ თავდაცვის სამმართველოს უფროსი და სხვ. დაჯილდოებულია 2 წითელი დროშის ორდენით.

სედიმენტაცია (<ლათ. sedimentum — დალექვა), *დისპერსიულ სისტემებში* დისპერსიული ფაზის ნაწილაკების დალექვა ან ამოტივტივება გრავიტაციული ველის ან ცენტრიდანული ძალის გავლენით. ს. ხდება მაშინ, როცა ნაწილაკთა მიმართული მოძრაობა სიმძიმის ან ცენტრიდანული ძალის მოქმედების შედეგად აღემატება ნაწილაკთა სითბურ ქაოსურ მოძრაობას. ს-ის სიჩქარე დამოკიდებულია ნაწილაკთა ფიზ. თვისებებსა და სადისპერსიო არეზე. დისპერსიულ სისტემებში ს-ს ხშირად თან ახლავს ნაწილაკთა თავისთავადი გამსხვილება.

სედიმენტაცია გეოლოგიაში, ბუნებრივი პროცესი, რ-ის შედეგად წყალში ან ჰაერში შეწონილი ან მოძრავი მყარი მასალა ნალექად გადაიქცევა. ს. მიმდინარეობს ოკეანეებში, ზღვებში, ტბებში, მდინარეებსა და ხმელეთზე. ს-ის გზით წარმოქმნილი ნალექი *დიაგენეზისის* შედეგად გადაიქცევა *დანალექ ქანად*.

სედიმენტაციური ანალიზი, *სედიმენტაციის* მახასიათებელი კინეტიკური და წონასწორული პარამეტრების საშუალებით *დისპერსიულ სისტემებში* ნაწილაკების ზომის განსაზღვრის მეთოდი. ს. ა. ხორციელდება ნალექის აწონვის, პიპეტური, არეომეტრული, ფოტოელექტრული, ცენტრიფუგული და სხვ. მეთოდებით.

სედოვი გიორგი იაკობის ძე [23. IV (5. V). 1877, სოფ. კრივაია-კოსა, ახლანდ. დაბა სედოვო, უკრ. სსრ დონეცკის ოლქი, — 20. II (5. III). 1914], არქტიკის რუსი მკვლევარი. დაიბადა მეთევზის ოჯახში. 1898 დაამთავრა საზღვაოსნო კლასები დონის როსტოვში. 1901 ექსტერნად ჩააბარა გამოცდები საზღვ. კორპუსში და მიიღო პორუჩიკის წოდება. 1902—03 მონაწილეობდა ჰიდროგრ. ექსპედიციაში ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, 1909 იყო მდ. კოლიმის შესართავის შემხწავლელი ექსპედიციის უფროსი. 1912 წამოაყენა ჩრდ. პოლუსზე მარხილით მისვლის პროექტი. 1912 წ. 14 (27) აგვ. გემი „წმ. ფოკა" არხანგელსკიდან გავიდა. 1913 აგვ. ექსპედიციამ მიაღწია ფრანც-იოსების მიწას და ქვანახშირის უქონლობის გამო გამოსაზამთრებლად დადგა. 1914 წ. 2(15) თებ., ს. სურავანდით დაავადებული, ორ მეზღვაურთან ერთად, 3 ძაღლის მარხილით ჩრდ. პოლუსისაკენ გაემართა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. იგი დაასაფლავეს რუდოლფის კ-ზე. ს-ის სახელს ატარებს დაბა უკრ. სსრ დონეცკის ოლქში, 2 ყურე და პიკი ახალ მიწაზე, მყინვარი და კონცხი ფრანც-იოსების მიწაზე, კუნძული ბარენცის ზღვაში, კონცხი ანტარქტიდაში და ყინულმჭრელი გემი — „გიორგი სედოვი".

თხზ.: Путешествие в Колыму и на Новую Землю в 1909—1910 гг., П., 1917.

სედოვი ლეონიდ ივანეს ძე [დ. 1 (14). XI. 1907, დონის როსტოვი], საბჭ. მეცნიერი მექანიკისა და გამოყენებითი მათემატიკის დარგში. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). სოციალ. შრომის გმირი (1967). დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი (1930). 1930—47 მუშაობდა ცენტრალურ აეროჰიდროდინ. ინ-ტში. 1937-იდან მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. 1945-იდან მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. შათ. ინ-ტშიც. მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ჰიდრო- და აერომექანიკას, აგრეთვე უწყვეტი გარემოს მექანიკას. ს-მა გადაწყვიტა წყალზე სწრაფის დარტყმასა და გლისირებასთან დაკავშირებული ამოცანები; გამოიყვანა აეროდინ. ძალებისა და მომენტების ფორმულები დეფორმირებადი ფრთებისათვის და სხვ.; წამოაყენა უწყვეტი გარემოს ახ. მოდელი თერმოდინ. და ელექტროდინ. მოვლენების გათვალისწინებით და მოძრაობის განტოლებათა და სასაზღვრო პირობების მოძებნის მეთოდი თავის მიერვე ჩამოყალიბებულ ვარიაციულ პრინციპზე დაყრდნობით. სსრკ მეცნ. აკად. სითხეებისა და აირების მექან. სამეცნ. საბჭოს თავრე. საერთაშ. ასტრონავტიკული ფედერაციის პრეზიდენტი (1961—62). სსრკ სახელმწ. პრემია (1952). დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით და საპატიო ლეგიონის საფრ. ორდენით.

თხზ.: Методы подобия и размерностей в механике, 7 изд., М., 1972; Механика сплошной среды, 2 изд., т. 1—2, М., 1973.

სედოხეზები, ძვ. კოლხეთის ტერიტორიაზე, მდ. ხობთან, მოსახლე ერთ-ერთი ლაზური ტომი. ს. და მათი მეფე იხსენიებიან *ტაციტუსის* (ახ. წ. I ს.) „ისტორიაში" *ანიკეტეს აჯანყებასთან* დაკავშირებით. იმპ. ვესპასიანეს მმართველობით უკმაყოფილო ს-ის მეფემ თავდაპირველად შეიფარა ლტოლვილი ანიკეტე და მისი პოლიტ. მოკავშირე გახდა (ტაციტუსის სიტყვით, ანიკეტეს ეს მოუბერხებია ფულითა და საჩუქრებით), მაგრამ შემდეგ რომაელებთან ომს აჯანყებულთა მეთაურის გაცემა არჩია.

ლიტ.: ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, [ტ.] 1, თბ., 1949. *მ. ინაძე.*

სევა, სოფელი ონის რ-ნში (ფარახეთის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 960 *მ*, ონიდან 9 *კმ*. სორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. სორში (9 *კმ*). კლუბი, საფერშლო პუნქტი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. 1725 იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით დაანგრიეს ს-ის თავდაცვითი კოშკები. შემორჩენილია ორი ეკლესიის ნანგრევები.

სევარა (<არაბ. სავად — სიშავე, შავი ფერი), შავი ფერის ნივთიერება (გოგირდში არეული დამწვარი ტყვია ან სპილენძი), რ-ითაც ლითონის (განსაკუთრებით ვერცხლის) ნაკეთობებზე გამოჰყავთ მხატვრული სახეები. დაქუცმაცებულ ს-ს მოაყრიან ლითონის გრავირებულ ზედაპირს და გამოწვავენ, შემდეგ მასზე გამოჰყავთ შავი ან მუქი რუხი ნახატი. ვერცხლისა და სხვ. ლითონების მოსევადება ცნობილი იყო ჯერ კიდევ ანტ. ეპოქაში. ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში არსებობდა თავისებური ორნამენტიანი ს-ის სახეობა. რუსეთში მოსევადებას მიმართავდნენ X—XIII სს-ში, განსაკუთრებით მრავალფეროვნებას მიაღწია XVIII ს-ში ფოლადის მხატვრულად დამუშავებისას. ს-ს ფართოდ იყენებენ დაღესტანში.

სევაკი (ნამდვ. გვარი ღაზარიანი) პარუირ რაფაელის ძე (26. I. 1924, სოფ. ჩანახჩი, ახლანდ. სოვეტაშენი, არარატის რ-ნი, — 17. VI. 1971, დასაფლავებულია ერევანში), სომეხი პოეტი. 1945 დაამთავრა ერევნის უნ-ტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1967). ლექსების პირველი კრებული „უკვდავები გვებრძანებენ" 1948 გამოსცა. ავტორია კრებულებისა „სიყვარულის გზა" (1954), „ისევ შენთან" (1957), „ადამიანი ხელისგულზე" (1963), ლირ. პოემისა „დაუდუმებელი სამრეკლო" (1959, სომხ. სსრ სახელმწ. პრემია, 1967), მონოგრაფიული გამოკვლევისა „საიათნოვა" (1969). თარგმნა ს. ესენინის, ვ. მაიაკოვსკის, ე. მეჟელაიტისის, უ. უიტმენის და სხვ. ლექსები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: იქმენინ ნათელი, თბ., 1979.

ლიტ.: История армянской советской литературы, М., 1966.

სევანი, გორქა, ტბა სომხ. სსრ-ში; უდიდესია კავკასიაში. ფართ. 1200 *კმ*^{2}. საშ. სიღრმე 28,5 *მ*, მაქს. — 83 *მ*. მდებარეობს ამიერკავკ. ვულკ. მთიანეთში, დაახლ. 1900 *მ* სიმაღლეზე. ტბას ჩრდ.-დას.-ით ეკვრის ბამბაკის ქედი, ჩრდ.-აღმ.-ით — შაჰდაღის ქედი, დას. და სამხრ.-ით— გელამის და ვარდენისის ქედები. ს-ის ტბას უკავია მთათაშორისი ტექტონ. ქვაბულის ცენტრ. ნაწილი. ორი მოპირისპირე კონცხით იყოფა მცირე ს-ად (ჩრდ.-დას.) და დიდ ს-ად (სამხრ.-აღმ.). მცირე ს-ში მდებარე კლდოვან კუნძულზე, რ-იც ტბის დონის დაწევის შემდეგ ნახევარკუნძულადაა გადაქცეული, მდებარეობს IV ს. არქიტ. ძეგლი სევანის მონასტერი. ს-ის ტბაში ჩადის 28 პატარა მდინარე, გამოდის მდ. რაზდანი. ტბის მთავარი მასაზრდოებელია ზედაპირული ჩამონადენი (727 მლნ. *მ*^{3} წელიწადში). წყლის ტემპ-რა ზედაპირზე ივლ.-აგვ-ში 17—19°C (მაქს. 24°C-მდე), იანვ.-თებ-ში 1,5—1,8°C. ძლიერ ყინვიან ზამთარში ტბა მთლიანად იყინება. მდიდარია თევზით. ტბის წყალი და მდ. რაზდანი გამოყენებულია სევანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადისათვის. გაყვანილია არფა—სევანის გვირაბი (სიგრძე 48,6 *კმ*), რ-ითაც მდ. არფის წყალი შედის ს-ში. ს-ის ტბის ნაპირზეა ქ. სევანი. ბუნებრივი ეროვნ. პარკი. დასასვენებელი ადგილი. ტურიზმი.



გ. სედოვი.



ლ. სედოვი.

სევანი, ქალაქი (1961-მდე დაბა) სომხ. სსრ-ში, სევანის ტბის ჩრდ.-დას. ნაპირზე. სევანის რ-ნის ცენტრი. საავტ. გზების კვანძი. რკინიგზის სადგური, ერევნიდან 63 *კმ*. არის შემსრულებელი მექანიზმების, მინის ელექტროსაიზოლაციო, თაბაშქოს საფერმენტაციო და სხვა ქ-ნები. ინდუსტრ.-ტექნოლ. ტექნიკუმი.

სევანის მონასტერი, არქიტექტურული კომპლექსი სევანის ტბის კ-ზე (ახლა ნ.-კ-ია). შემორჩენილია IX ს. სამფსიდიანი ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესიები: მცირე—კარაპეტის ეკლესია და დიდი — მოციქულთა ეკლესია (874). მოციქულთა ეკლესიის ხის კვეთილი კარი (1176 და 1552) და გავითის კვეთილი სვეტისთავები ინახება სომხ. ისტ. მუზეუმში, ერევანში.

სევანის ჟელი, ქედი მცირე კავკასიონის სისტემაში; იხ. *შაჰდაღის ქედი*.



ვ. სევასტიანოვი.

სევასტიანოვი ვიტალი ივანეს ძე (დ. 8. VII. 1935, კრასნოურალსკი, სვერდლოვსკის ოლქი), სსრკ კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (3. VII. 1970 და 27. VII. 1975). სკკპ წევრი 1963-იდან. 1959 დაამთავრა სერგო ორჯონიკიძის სახ. მოსკ. საავიაციო ინ-ტი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1965). კოსმონავტთა რაზმშია 1967-იდან. 1970 წ. 1—19 ივნ. პირველად იფრინა კოსმოსში ხომალდ „სოიუზ-9-ით" (ა. *ნიკოლაევთან* ერთად), 1975 წ. 24 მაისიდან 26 ივლ-მდე — მეორედ ხომალდ „სოიუზ-18-ით" (პ. *კლიმუკთან* ერთად), რ-იც 26 მაისს შეუპირაპირდა ორბიტაზე მყოფ ხომალდ „სალუტ-4-ს" ს. მონაწილეობდა სამეცნ.-ტექ. კვლევაში. ას-



სევანის ტბა.

ტრონავტიკის საერთაშ. აკად. ნ. წ., სსრკ სახელმწ. პრემია (1978). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით.

სევასტოპოლი, ქალაქი უკრ. სსრ ყირიმის ოლქში, ყირიმის ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. საზღვ. ნავსადგური. საავტ. გზების კვანძი. რკინიგზის სადგური. გმირი ქალაქი. 328 ათ. მკხ. (1983). ძველად ახლანდ. ს-ის რ-ნში მდებარეობდა ქ. *ქერსონესი*. ს. გაშენდა 1783 როგორც სამხ.-საზღვაო ნავსადგური და ციხესიმაგრე. თავდაპირველად ქალაქს ახტიარი (თეთრი ფრიალო კლდე) ეწოდებოდა, 1784 ეწოდა ს. (ბერძნ. „დიადი ქალაქი"). 1804-იდან შავი ზღვის მთავარი სამხ. ნავსადგური. XIX ს. 90-იანი წწ. დასასრ. აქ შეიქმნა მარქსისტული წრეები, 1902 — ს.-დ. ორგანიზაცია, 1903 — რსდმპ სევასტოპოლის კომიტეტი, 1904—რსდმპ სევასტოპოლის სამხ. ორგანიზაცია, რ-მაც 1905—07 რევ. დროს მოამზადა შეიარაღებული აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე". 1905 ნოემბერში ქალაქში აჯანყებამ იფეთქა. 1917 მარტში ს-ში შეიქმნა არმიის, ფლოტის და მუშათა დეპუტატების საბჭო. საბჭ. ხელისუფლებამ ს-ში გაიმარჯვა 1917 წ. 16 (29). დეკ. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ქალაქის დასაცავად გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა (იხ. *სევასტოპოლის დაცვა 1941—42*). 1942 წ. 22 დეკ. დაწესდა მედალი „სევასტოპოლის დაცვისათვის". 1942 წ. 4 ივლ-იდან 1944 წ. 9 მაისამდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. განთავისუფლდა *ყირიმის ოპერაციის* (1944) შედეგად. ქალაქი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით (1954), ლენინის ორდენითა და მედლით „ოქროს ვარსკვლავი" (1964), ოქტ. რევ. ორდენით (1983).

თანამედროვე ს. ყირიმის ოლქის ერთერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრ. ცენტრია. განვითარებულია მრავალდარგიანი კვების მრეწვ. (მ. შ. თევზისა და თევზსაკონსერვო, ხორცის, ხილბოსტნეულსაკონსერვო და სხვ.). მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ. საწარმოებიდან გამოირჩევა საზღვაო ქ-ნა (ამზადებს საზღვ. მოტიქტივე ამწეებს და სხვ.) და ხელსაწყოთსაშ. ქ-ნა „პარუსი". არის სამკერვალო, სატრიკოტაჟო, ავეჯის ფ-კები, საშენ მასალათა და ხის დასამუშ. კომბინატები, ს-ის მიდამოებში იღებენ კირქვას.

ქალაქი შეერთებულია სევასტოპოლის ჯურის ნაპირებ... ტერასებზე. ჯურე ქალაქს სამხრ. ც... ჩრდ. ნაწილებად ყოფს. 1941—45 დიდ ... მამულო ომში თითქმის მთლიანად დანგრეული ქალაქი ახ. გენ. გეგმით (1946, არქიტ. ვ. არტიუხოვი, ი. ტრაუტმანი, ინჟ. ი. ჟილკო; დეტალური დაგეგმარების პროექტი — არქიტ. ლ. პოლიაკოვი და სხვ.) განაშენიანდა. ს-ის ცენტრი შექმნილია წრიული მაგისტრალით. ააშენეს ახ. საცხოვრ. და საზ. ნაგებობანი, მ. შ. დრამ. თეატრი (1954—56, არქიტ. ვ. პელევინი), სასტუმრო „უკრაინა" (1962—63, არქიტ. ი. ბრაუდე), საცხოვრ. სახლების ანსამბლები. ძვ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია პეტრე-პავლეს ტაძარი (1843). 1954 ხელმეორედ გაიხსნა პანორამა „სევასტოპოლის დაცვა 1854—55 წწ." (1902—04, მხატვარი ფ. რუბო და სხვ., გაიხსნა 1905; განაახლეს საბჭ. მხატვრებმა). ქალაქში დგას ვ. ი. ლენინისა (ბრინჯაო, გრანიტი, 1957, მოქანდაკე პ. ბონდარენკო, არქიტ. ს. ტურკოვსკი, ი. შჩუკო) და სხვა მრავალი ძეგლი და მემორიალი. ს-ში არის 2 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ხელსაწყოთსაშენო ინ-ტი, 3 ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი, საზღვაო ობსერვატორია; 2 თეატრი, მუზეუმები, აკვარიუმი.

სევასტოპოლის დაცვა 1854—55, სევასტოპოლის გმირული დაცვა 1854 წ. 13 (25) სექტ. — 1855 წ. 27 აგვ. (8 სექტ.) საფრ., ინგლ., თურქ. და სარდინიის ჯარებისაგან *ყირიმის ომის (1853—56)* დროს. ქალაქს იცავდა რუს. შავი ზღვის ფლოტი (14 აფრიანი სახაზო ხომალდი, 12 ფრეგატი და სხვ. ხომალდები) და ქალაქის 40 ათასიანი გარნიზონი. სევასტოპოლის დაცვას ხელმძღვანელობდა ვიცე-ადმ. ვ. *კორნილოვი*, მისი დაღუპვის შემდეგ — ვიცე-ადმ. პ. *ნახიმოვი*. მოკავშირეებმა (89 სახაზო ხომალდი და ფრეგატი, 170 ათ. კაცი; სარდლები ინგლ. გენ. ფ. ჯ. რაგლანი და ფრანგი გენ. ფ. კანრობერი) 5 (17) ოქტ. დაიწყეს ქალაქის დაბომბვა ზღვიდან და ხმელეთიდან, მაგრამ დამცველთა მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. დაიწყო ქალაქის ხანგრძლივი ალყა. მოკავშირეებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ და განუწყვეტლივ ბომბავდნენ ქალაქს. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა სევასტოპოლის საკვანძო პოზიციის — მალახოვ-კურგანის მისადგომებთან, რ-ის მოწინავე რედუტების დაკავება მოკავშირეებმა მაისის ბოლოს შეძლეს. 24 აგვ. (5 სექტ.) მოკავშირეთა არტილერიამ მიწასთან გაასწორა თავდაცვითი სიმაგრეები. რუს. ჯარმა ჯურის მარცხ. ნაპირიდან ჩრდ-კენ დაიხია და 28 აგვ. (9 სექტ.) ინგლ.-საფრ. ჯარებმა ქალაქის სამხრ. ნაწილი დაიკავეს. ს. დ-ის პერიოდში სამხ. ინჟინრებმა ე. ტოტლებენის ხელმძღვანელობით შექმნეს ბასტიონების მთელი სისტემა, ცალკე ბატარეები, სანგრები, რედუტები, რაც უზრუნველყოფდა აქტიურ თავდაცვას. სევასტოპოლისათვის ბრძოლაში მოკავშირეებმა დაკარგეს 71 ათ. კაცი, რუსებმა დაახლ. 102 ათასი. 349 დღიანმა გმირულმა დაცვამ სევასტოპოლს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი და გავლენა მოახდინა სამშვიდობო მოლაპარაკების მსვლელობაზე.

ლიტ.: Описание обороны г. Севастополя, т. 1—2, СПб., 1868—72.

სევასტოპოლის დაცვა 1941—42, შავი ზღვის ფლოტის, ზღვისპირეთის არმიისა და ქალაქის მოსახლეობის ბრძოლა მთავარი სამხ.-საზღვ. ბაზის — სევასტოპოლის დასაცავად 1941 წ. 30 ოქტ. — 1942 წ. 4 ივლ. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. 25—27 ოქტ. ფაშისტთა მე-11 არმიამ გაარღვია საბჭ. ჯარების დაცვა პერეკოპის ყელზე და ყირიმში შეიჭრა. 51-ე არმიის ჯარებმა მძიმე ბრძოლებით დაიხიეს ქერჩისაკენ, ხოლო ზღვისპირეთის არმიამ — იალტისა და სევასტოპოლისაკენ. 30 ოქტ-იდან ნოემბ-მდე სევასტოპოლის გარნიზონს საკუთარი ძალებით უხდებოდა მტრის შემოტევების მოგერიება. 9 ნოემბრიდან ზღვისპირეთის არმიაც ქალაქთან გადაგრდა და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ბრძანებით დაიწყო სევასტოპოლისა და ქერჩის ნ.-კ-ის აქტ. დაცვა. შეიქმნა ს. დ-ის რ-ნი (სდრ), რ-ის სარდლად ფლოტის სარდალი ვიცე-ადმ. ფ. ოქტიაბრსკი დანიშნეს. ჯარების რიცხვი 55 ათ. კაცს შეადგენდა (მ. შ. 29 ათ. სახმელეთო ფრონტზე).

11 ნოემბ. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა 4 ქვეით დივიზიასა და სხვა ნაწილებს (60 ათ-მდე კაცი) და განაახლა სევასტოპოლზე შეტევა იალტის საავტ. გზის გასწვრივ. მძიმე თავდაცვითი ბრძოლებით საბჭ. ჯარებმა მოწინააღმდეგის ყველა შეტევა უკუაგდეს და თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს. დაზარალებულმა მტერმა 21 ნოემბ. შეტევა შეწყვიტა და დაცვაზე გადავიდა. ნოემბ. ბოლოსა და დეკ. I ნახევარში სდრ-ში ზღვით გადასხეს 388-ე მსროლელი დივიზია და სამარშო შევსება. გაძლიერდა თავდაცვა.

17 დეკ. გერმ.-რუმინ. ჯარები მეორე შეტევაზე გადავიდნენ. შეტევის მიზანი იყო ჩრდ. უბეზე გადასვლა. სდრ-ში იყო 5 მსროლელი დივიზია, 1 მცირერიცხოვანი საკავალერიო დივიზია, საზღვ. ქვეითი ჯარის 2 ბრიგადა და 3 პოლკი. მიუხედავად საბჭ. ჯარების მედგარი წინააღმდეგობისა, მტერმა მაინც შეძლო თავდაცვის ხაზის გარღვევა და 20 დეკ. ჩრდ. უბეზე მტრის გადასვლის საშიშროება შეიქმნა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გამოყო ძალები ზღვისპირეთის არმიის გასაძლიერებლად: ზღვით გადასხეს 79-ე ცალკე საზღვ. მსროლელი ბრიგადა (რ-მაც 22 დეკ. კონტრშეტევით შეაჩერა მტერი), 23—24 დეკ. — 345-ე მსროლელი დივიზია და სატანკო ბატალიონი, 28 დეკ. — 386-ე მსროლელი დივიზია. ამ ნაწილებისა, სანაპირო ბატარეებისა და ხომალდების ძლიერმა ცეცხლმა მტერი აიძულა უკან დაეხია. მტრის შეტევის მოგერიებაში დიდი როლი ითამაშა *ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციამ* (1941—42). 1—4 იანვ. საბჭ. ჯარებმა კონტრშეტევით მტერი თითქმის ყველგან საწყის პოზიციებზე უკუაგდეს.

1942 მაისში საბჭ. ჯარების მიერ ქერჩის ნ.-კ-ის დატოვების შემდეგ სევასტოპოლის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. მტერმა დაიწყო საჰაერო და სჯარტ. დაბომბვა. და გააძლიერა სევასტოპოლის ბლოკადა ზღვიდან. მან თავი მოუყარა 10 ქვეით დივიზიას (მ. შ. 3 რუმინ.), 1 მოტორიზებულ ბრიგადას და 3 პოლკს (200 ათ. მეტი კაცი). სდრ-ში იყო 7 მსროლელი დივიზია (მ. შ. 6 ნახევრად დაკომპლექტებული). საზღვ. ქვეითი ჯარის 4 ბრიგადა და 3 პოლკი (106 ათ. კაცი). 7 ივნ. მტერი შეტევაზე გადავიდა. ფაშისტთა თვითმფრინავები ყოველდღიურად 800—1000 საბრძოლო გაფრენას ახორციელებდნენ, 4000—4500 ბომბს ყრიდნენ. სევასტოპოლის დამცველები უკანასკნელ წუთამდე გმირულად იბრძოდნენ. 18 ივნ. მტერმა უდიდესი მსხვერპლის ფასად შეძლო ჩრდ. უბის ნაპირზე გასვლა. აქ დარჩენილი მცირერიცხოვანი გარნიზონი გმირულად განაგრძობდა დაცვას 22—24 ივნ-მდე. 29 ივნ. ღამით მტერმა გადალახა ჩრდ. უბე, იმავე დღეს აიღო საპუნ-მთა. 30 ივნ. ბრძოლები გაიმართა მალახოვ-კურგანზე, ქალაქის მისადგომებთან. საბჭ. ჯარი ცალკეული ჯგუფებით ხერსონესის ნ.-კ-კენ იხევდა. 1 ივლ. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ჯარების ევაკუაციის ნება დართო. მებრძოლთა ერთმა ნაწილმა შეძლო ქერჩის სრუტის გადალახვით კავკასიონის სანაპიროზე გადასვლა, ნაწილი კი მთაში პარტიზანებს შეუერთდა.

სევასტოპოლის ბრძოლაში მტერმა 300 ათ-მდე კაცი დაკარგა. ზღვისპირეთის არმიისა და შავი ზღვის ფლოტის მებრძოლებმა მასობრივი გმირობა და განსაკუთრებული სიმტკიცე გამოამჟღავნეს. 37 კაცს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. სევასტოპოლელთა გმირობის აღსანიშნავად 1942 წ. 22 დეკ. დაწესდა მედალი „სევასტოპოლის დაცვისათვის", რ-ითაც დაჯილდოებულია 45 ათ-ზე მეტი კაცი.

ლიტ.: Героическая оборона Севастополя. 1941—1942. М., 1969; Крылов Н. И., Огненный бастион, М., 1973.

სევენები (Cévennes), მთები საფრანგეთში; საფრ. ცენტრ. მასივის სამხრ.-აღმ. კიდეზე. სიგრძე დაახლ. 150 *კმ*, სიმაღლე 1702 *მ*-მდე (მთა ლოზერი). უმთავრესად აგებულია გრანიტებით, გნაისებით, ფილიტებითა და ფიქლებით, ალაგ-ალაგ — ეულკ. ქანებით. მწვერვალებრივი ზედაპირი პლატოსებრია. სამხრ. და აღმ. კალთების ქვედა ნაწილი შემოსილია ხმელთაშუა ზღვის ბუჩქოვანი მცენარეულობით, ზევით წაბლისა და წიფლის ტყეებია, უფრო მაღლა — წიწვოვნები, მწვერვალებზე — მდელოები, ხეობებში — ვენახები და ბაღები. გარის ხეობაში არის ქვანახშირის საბადო.

სევერგინის ვულკანი, მოქმედი ვულკანი კ. ხარიმკოტანზე, კურილის კ-თა ჩრდ. ჯგუფში. სიმაღლე 1144 *მ*. აგებულია ანდეზიტური ლავებით. მოქმედებენ სოლფატარები. 1933 მძლავრი აფეთქებით მოისპო ცენტრ. კონუსის დიდი ნაწილი. სახელი უწოდა ი. კრუზენშტერნმა რუსი მინერალოგისა და ქიმიკოსის ვ. სევერგინის პატივსაცემად.

სევერიანები, აღმ. სლავების ტომთა ჯგუფი, რ-იც ახ. წ. I ათასწლ. დასასრულს, დასახლებული იყო მდ-ების დესნის, სეიმისა და სულის მისადენარზე. VIII ს-ში და IX ს. დამდეგს ხარკს უხდიდნენ ხაზარებს. IX ს. დასასრ. ს. პოლიანებთან ერთად შევიდნენ კიევის რუს. შემადგენლობაში. მონაწილეობდნენ ოლეგის ლაშქრობაში ბიზანტიის წინააღმდეგ (907); უკანასკნელად მატიანეში იხსენიებიან 1024. ს. მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, სხვადასხვა ხელოსნობას.

სევერიანინი იგორ (ნამდვ. გვარი იგორ ვასილის ძე ლოტარევი) [4 (16). V. 1887, პეტერბურგი, — 20. XII. 1941, ტალინი], რუსი პოეტი. ლიტ. მოღვაწეობა 1904-იდან დაიწყო. პოპულარობა მოუპოვა კრებულმა „მეხთამტეხი თასი" (1913). ს-ის კრებულებია „ოქროლირა" (1914), „ანანასები შამპანურში" (1915), „პოეზოანტრაქტი" (1915) და სხვ. იყო ეგოფუტურიზმის (იხ. *ფუტურიზმი*) ლიდერი. ს. ოქტ. რევ. შემდეგ (1918-იდან) ემიგრაციაში იყო. ს-ის შემოქმედება აღსავსეა წინააღმდეგობებით. მისი საუკეთესო ლექსები ლირიზმითა და მუსიკალურობით გამოირჩევა. 1913 ს-შა თ. სოლოგუბთან ერთად ლიტ. საღამოები გამართა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

სევერინი ტიმ (დ. 29. X. 1940, ინდოეთი), ინგლისელი მეცნიერი, მოგზაური და მწერალი. სწავლობდა ოქსფორდის (ინგლისი), კალიფორნიის (ბერკლი) და მინესოტის (ორივე აშშ) უნ-ტებში. მინიჭებული აქვს ოქსფორდის უნ-ტის დოქტორის ხარისხი. ს. მოგზაურობს და იკვლევს ლეგენდად ქცეულ გეოგრ. მოგზაურობათა მარშრუტებს. ამ მიზნით 1976—77 ძველირლანდიური ტყავის ნავით გადალახა ჩრდ. ატლანტიკა და გაიმეორა აბატ ბრენდანის VI ს. მოგზაურობის მარშრუტი ირლანდიიდან ამერ. ნაპირებამდე; 1980—81 შუა საუკ. ტიპის არაბ. ნავ „სოჰარით" გადალახა ინდოეთის ოკეანე ომანიდან ჩინ. ნაპირებამდე და დაასაბუთა, რომ სინდბადის შესახებ არსებულ ზღაპრებს რეალური საფუძველი აქვს; 1984 გემ „არგოთი" გაიმეორა ბერძენი არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის მარშრუტი და ექსპერიმენტულად ეჭვმიუტანელი გახადა ამგვარი ექსპედიციის შესაძლებლობა ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში. *ნ. ფოფხაძე.*

სევერინი (Severini) ჯინო (7. IV. 1883, კორტონა, ტოსკანა, — 27. II. 1966, პარიზი), იტალიელი ფერმწერი. პირველი ფერწერული ტილოები 1901 შექმნა, რომელსაც რომში დაუახლოვდა უ. *ბოჩიონისა* და ჯ. ბალას. 1906-იდან ცხოვრობდა პარიზში. *ფუტურიზმის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1910-იან და სიცოცხლის ბოლო წლებში ახლოს იყო *აბსტრაქტულ ხელოვნებასთან*. 1910-იანი წწ. დასასრ. და 30-იან წლებში — *კუბიზმთან*. ს-ს სურდა შეექმნა რეალურ ყოფაზე „ამალლებული" ფორმები „მომავლის ხელოვნებისა", ამან კი იგი გარემო სამყაროს დამახინჯებამდე მიიყვანა.

სევერინი ანდრია ბორისის ძე [დ. 28. IV (11. V). 1913, ტულა], საბჭ. ასტროფიზიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1968), სოციალისტური შრომის გმირი (1973). სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1935). 1938—46 მუშაობდა პ. შტერნბერგის სახ. სახელმწ. ასტრონ. ინ-ტში. 1946-იდან მუშაობს ყირიმის ასტროფიზ. ობსერვატორიაში (1952-იდან დირექტორი). მისი ძირითადი შრომები ეხება თეორ. ასტროფიზიკას და მზის ფიზიკას. გამოიკვლია მზის ანთებანი, დაადგინა მათი კავშირი მზის ლოკალურ მაგნ. ველებთან, აღმოაჩინა (ვ. კოტოვსა და ტ. ცაპთან ერთად) მზის 160-წუთიანი პულსაცია, დაამტკიცა, რომ მზის საერთო მაგნ. ველი ლოკალურ ველთა შეკრების შედეგია, აღმოაჩინა ვარსკვლავთა სუსტი მაგნ. ველები. საერთაშ. ასტრონ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1964—70). სსრკ სახელმწ. პრემია (1952). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Физика солнца, М., 1956.

სევერნი (Severn), მდინარე დიდ ბრიტანეთში. სიგრძე 310 *კმ* (ესტუართან ერთად 390 *კმ*), აუზის ფართ. 21 ათ. *კმ*². სათავე აქვს კემბრიის მთების აღმ. კალთებზე. მიედინება ვაკეზე. ჩადის ბრისტოლის ყურეში. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წყალუხვია შემოდგომა-ზამთარში, ზაფხულში ძალზე წყალმცირეა. წყლის საშ. ხარჯი დაახლ. 250 $მ^3/წმ$. სანაოსნოა. ს-ის ნაპირებზეა ქ-ები: შრუზბერი, ეუსტერი, გლოსტერი, ესტუარიში — ნიუპორტი, კარდიფი.

სევერნი (Severn), მდინარე კანადაში, ონტარიოსა და მანიტობის პროვინციებში. სიგრძე ბლეკ-ბერჩის სათავიდან 981 *კმ*, აუზის ფართ. 101 ათ. *კმ*². სათავე აქვს ლავრენტის მაღლობზე. გაივლის ტბებს, ჩადის ჰუდსონის ყურეში. წყალდიდობა იცის ზაფხულში. გაყინულია ნოემბრიდან მაისის ჩათვლით. ზემო დინებაში ჭორომიანია.

სევეროდვინსკი (1938-მდე სუდოსტროი, 1938—57—მოლოტოვსკი), ქალაქი (1938-მდე დაბა) რსფსრ არხანგელსკის ოლქში, თეთრი ზღვის ნაპირზე, მდ. ჩრდილოეთის დვინის შესართავთან. რკინიგზის სადგური. 219 ათ. მცხ. (1983). საგზაო მანქანების, რბილის, ხორცის გადასამუშ. ქ-ნები, სატყეო მრეწვ. მეურნეობა, საშენ მასალათა წარმოება, ხის დასამუშ. კომბინატი, სამკერვალო, ავეჯისა და მეფრინველეობის ფ-კები. პოლიტექნიკუმი, თეატრი. ს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1983).

სევეროდონეცკი, ქალაქი (1958-იდან) უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში, მდ. ჩრდილოეთის დონეცის ხეობაში, რკინიგზის სადგ. ლისიჩანსკიდან 6 *კმ*. 120 ათ. მცხ. (1983). ს-ში არის ქიმ. და ხის დასამუშ. კომბინატები, მინაპლასტიკის, ხელსაწყოთასშენი, ქიმ.-მეტალ. და სხვა ქ-ნები, კვების მრეწვ. და საშენ მასალათა საწარმოები. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, ქიმ.-მექან. ტექნიკუმი, სამუსიკო სასწავლებელი.

სევეროვი ნიკოლოზ პაველის ძე [18. II (2. III). 1867, თბილისი, — 21. II. 1957, კიევი], საბჭ. არქიტექტორი. სკკპ წევრი 1954-იდან. დაამთავრა პეტერბ. სამოქალაქო-საინჟინრო ინ-ტი (1915). 1918—48 მუშაობდა თბილისში (1935—48 — საქ. სსრ არქიტ. კავშირის თავ-რე), 1948-იდან — კიევში. თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი (1922—48). დიდი ღვაწლი მიუძღვის ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მეცნიერული აზომვა-ფიქსაციის საქმეში (ნეკრესი, შიომღვიმე, მცხეთის ჯვარი, წრომი, კუმურდო, მარტვილი, ალავერდი, ნიკორწმინდა და სხვ.). ნამუშევრები: ს. ჯვაშაშის სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია (1927—29), ამიერკავკ. ფედერაციის მთავრობის სახლი (ამჟამად საქ. კპ თბილისის კომიტეტი, 1929—30), ჩელიუსკინელთა სახ. ხიდი (1935), რუსთაველის სახ. კინოთეატრი (1939) — ყველა თბილისში; საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი სახლი გაგრაში (1935). ავტორია ნაშრომებისა, რ-ებშიც იხილავს ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან საკითხებს. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: Кумурдо и Никорцминда, М., 1947; Мцхета, М., 1946; Пути грузинской архитектуры, Тб., 1936 (სამიე გ. ჩუბინაშვილის თანაავტ.); Памятники грузинского зодчества, М., 1947.

სევერო-ზადონსკი, ქალაქი (1950-იდან) რსფსრ ტულის ოლქში. რკინიგზის სადგ. ბობრიკ-დონსკოიდან 16 *კმ*. იღებენ ქვანახშირის (მოსკოვისპირა ქვანახშირის აუზი).

სევერო-კურილსკი, ქალაქი რსფსრ სახალინის ოლქში, კ. პარამუშირზე (კურილის კ-ები). თევზსაჭერი ნავსადგური. თევზის კომბინატი.

სევერომორსკი (1951-მდე დაბა გაენგა), ქალაქი რსფსრ მურმანსკის ოლქში. კოლის ყურის გაუყინარი ნავსადგური, მურმანსკიდან 25 *კმ*. კვების მრეწველობა, თევზის მრეწვ. მომსახურე საწარმოები.

სევეროს ანტიოქელი, პალესტინელი მონოფიზიტი. ანტიოქიის პატრიარქი (512—518), სევერიანელების ერესის ბელადი. ამტკიცებდა, რომ განსხვავებით ადამიანისაგან, ქ-ის სული და სხეული საკუთარ ბუნებას ინარჩუნებს, ქრისტეში. ხორცი ღვთაებრივი ლოგოსის ბრწყინვალეებაში გარდაისახება და განათლდება. ნაშრომში „კირილე—ჭეშმარიტების მეგობარი" მონოფიზიტებს ბრალს სდებს კირილე ალექსანდრიელის მოძღვრების დამახინჯებაში და მას მონოფიზიტად აცხადებს. პეტრე იბერის ბიოგრაფმა *ზაქარია რიტორმა* დაწერა „სევეროსის ცხოვრება", სადაც პეტრე პატივითაა მოხსენიებული. პირველად ს. ა-ის შრომებში გამოჩნდა ციტატები *არეოპაგიტიკიდან* და მითითება დიონისე არეოპაგელზე. ი. შტიგლმაირის ჰიპოთეზა ს. ა-ისა და დიონისე არეოპაგელის იგივეობაზე უარყოფილია.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973; Нудубидзе Ш. И., Петр Ивер и античное философское наследие, Тб., 1963.

გ. თევზაძე.

სევეროურალსკი, ქალაქი (1944-მდე დაბა) რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, ურალის აღმ. კალთაზე, მდ. გაგრანის (ობის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური. იღებენ ბოქსიტებს, რკინის მადანს. ხეტყის მრეწველობა.

სევერუსები (Severi), რომის საიმპერატორო დინასტია 193—235. ს-ის დინასტიას მიეკუთვნებოდნენ: ლუციუს სეპტიმიუს *სევერუსი*, კარაკალა (211—217) და გეტა (211—212), ჰელიოგაბალუსი (218—222), ალექსანდერ ს. (208—235). ს-მა სამხ.-ბიუროკრატიული მონარქია შექმნეს. ალექსანდერ ს-ის გარდა ყველა იმპერატორი სენატის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდა.

სევერუსი ლუციუს სეპტიმიუს (Severus Lucius Septimius) [9. IV. 146, ლეპტის-მაგნა, აფრიკა, — 4. II. 211, ებურაკუმი (იორკი)], რომის იმპერატორი 193—211, სევერუსების დინასტიის დამაარსებელი. დაწინაურდა მარკუს ავრელიუსის დროს. იყო კვესტორი, სახ. ტრიბუნი, გალიის, პანონიის, სიცილიისა და გერმ. პროვინციების მმართველი. ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს. ს-მა სენატს დაუპირისპირა საიმპერატორო საბჭო, რ-შიც შედიოდნენ ცნობილი იურისტები: პაპინიანე, ულპიანე და პაულუსი. გაზარდა ბიუროკრ. აპარატი, რ-იც უმთავრესად სამხედროებისაგან კომპლექტდებოდა. გაამაგრა დუნაისპირა და რაინისპირა საზღვრები. 198 აღმ. პართელები დაამარცხა და ქ. ქტესიფონი აიღო. 208 შვილებთან კარაკალასა და გეტასთან ერთად ბრიტანეთში იყო, კალედონიელები დაამარცხა და დიდი ზღუდე ააგო. იქვე გარდაიცვალა.

სევერცოვი ალექსი ნიკოლოზის ძე [11 (23). IX. 1866, მოსკოვი, — 19. XII. 1936, იქვე], საბჭ. ბიოლოგი, ნ. ა. *სევერცოვის* შვილი. სსრკ მეცნ. აკად. (1920) და უკრ. სსრ მეცნ. აკად. (1925) აკადემიკოსი 1890 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. კიევსა (1902-იდან) და მოსკ. (1911—30) უნ-ტების პროფესორი. 1930 ს-ის ინიციატივით სსრკ მეცნ. აკად. სისტემაში ჩამოყალიბდა ევოლ. მორფოლ. ლაბორატორია, რ-იც 1935 გარდაიქმნა ევოლ. მორფოლ. და პალეოზოოლ. ინ-ტად (ამჟამად ა. სევერცოვის სახ. ცხოველთა ევოლ. მორფოლ. და ეკოლ. ინ-ტი). ს-ის ძირითადი შრომები ეხება ხერხემლიან ცხოველთა თავის მეტამერიას



ტ. სევერინი.



ა. სევერნი.



ა. სევერცოვი.



სევილია. „ლა ხირალდა“, ტაძრესიის სამრეკლო. მთავარი მეჩეთის ყოფილი მინარეთი (1184—1196, დასრულდა 1568).



სევილიის სკოლა. ა. ფერნანდესი. „მეზღვაურთა მადონა“. დაახლ. 1520. ალკასარი. სევილია.

(1891—1901), წყვილი კიდურების წარმოქმნას (1900, 1908, 1926), უმდაბლესი ხერხემლიანების ევოლუციას (1916—27). ს-მა წამოაყენა თეორია ხუთთითა კიდურების წარმოშობაზე წინაპართა 7—10-სხივიანი კიდურებიდან, რ-იც თავის მხრივ წარმოიქმნა უძველესი თევზისმაგვარი ფორმების მრავალსხივიანი ფარფლიდან. ს. ცხოველთა ევოლ. მორფოლ. ფუძემდებელია. გამოიკვლია პროგრესისა და რეგრესის ბიოლ. და მორფოლ.-ფიზიოლ. გზები და მიმართულებანი, შეიმუშავა მოძღვრება ორგანოთა და ფუნქციათა ფილოგენეზური ცვლილებების ტიპებსა (მოდულებზე) და ფილოგენეზურ კორელაციებზე (კოორდინაციებზე), დაადგინა ბიოლ. პროგრესის ძირითადი მიმართულებები: *არომორფოზი*, *იდიოადაპტაცია*. ს-ის თეორ. მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი უჭირავს ონდივიდ. და ისტ. განვითარების ურთიერთდამოკიდებულებების პრობლემას (*ბიოგენეზური კანონი*); შეიმუშავა *ფილემბრიოგენეზის* თეორია. შექმნა მორფოლოგ-ევოლუციონისტების სკოლა. 1969 დაწესდა ს-ის სახ. პრემია.

თხზ.: Собр. соч., т. 1—5, М.—Л., 1945—1950.

ლიტ.: Алексей Николаевич Северцов. Библиография, [сост. А. А. Махотин и Д. Л. Марголина], М.—Л., 1951.

რ. ჟორდანია.

სევერცოვი ნიკოლოზ ალექსის ძე [24. X (5. XI). 1827, ვორონეჟი, — 26. I (7. II). 1885, ვორონეჟის მახლობლად], რუსი ზოოლოგი, ზოოგეოგრაფი და მოგზაური. 1846 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1857—79 იკვლევდა ტიან-შანის მთიანეთს, ყიზილ-ყუმის უდაბნოს, შეაგროვა მრავალრიცხოვანი ფლორისტული და ფაუნისტური მასალა პამირის მთიანეთზე, შეიმუშავა შუა აზიის ბუნების კომპლ.-გეოგრ. დახასიათება, პალეარქტიკის ზოოგეოგრ. დაყოფის პრინციპები და მისი ეკოლ. საფუძვლები. შეაგროვა დიდძალი მასალა რუს. და თურქესტანის მხარის ორნითოფაუნაზე. შეისწავლა ხერხემლიან ცხოველთა პერიოდული მოვლენები. ჩ. დარვინის მოძღვრების მიმდევარი და პროპაგანდისტი იყო. ს-ის სახელი მიეკუთვნა ზოგიერთ მცენარეს, ცხოველს, პიკს პეტრე I-ის ქედზე, მყინვარებს პამირისა და იმიერილის ალათაუზე.

სევილია (Sevilla), ქალაქი სამხრ. ესპანეთში, სევილიის პროვ. და ანდალუსიის ისტ. ოლქის ცენტრი. გაშენებულია მდ. გვადალკვივირის ნაპირზე, ატლანტის ოკ. სანაპიროდან 87 *კმ*-ზე, ანდალუსიის დაბლობის ცენტრში. 646 ათ. მკხ. (1981). ქვეყნის მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამრეწვ. ცენტრი. დიდი სარკინიგზო კვანძი, საზღვ. ნავსადგური. აეროპორტი (ს-ის მახლობლად, სან-პაბლოში). კვების, საფეიქრო, მანქანათსაშ. (მ. შ. გემთსაშენი), ტყავის, მინის, ქაღალდის მრეწველობა. ს. დიდი კულტ. ცენტრია. უნ-ტი (დაარსდა 1502), მუზეუმები.

ს. — ძველად ჰისპალისი — იბერიული ტომების ტურდეტანების ცენტრი იყო. ძვ. წ. III ს-ში დაიპყრეს რომაელებმა. 712—1248, არაბთა ბატონობის დროს, ს-ში დიდ აღმავლობას მიაღწია ხელოსნობამ (აბრეშუმის წარმოება, საიუველირო ნაკეთობანი, კერამიკა). 1026-იდან სევილიის საამიროს ცენტრი გახდა. არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ კასტილიისა და ლეონის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. XV ს-ში გემთმშენებლობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, ს-ის ნავსადგურ პალოსიდან გავიდა *კოლუმბის* I ექსპედიცია. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ კასტილიის მეფეებმა ს-ს უბოძეს კოლონ. ვაჭრობის მონოპოლია. XV —XVII სს-ში ს-მ უდიდეს აღმავლობას მიაღწია; საქონელბრუნვით მან გადააჭარბა ეკრ. ყველა დიდ სავაჭრო ცენტრს. XVIII ს. დამდეგს მისი სავაჭრო მონოპოლია გააუქმეს. ს. იყო ესპ. XIX ს. რევოლუციების მნიშვნელოვანი ცენტრი. XIX ს. დამლევიდან ს. მუშათა მოძრაობის ცენტრი გახდა. 1936—39 ესპ. ხალხის ეროვნ. რევ. ომის დროს აქ შეიქმნა პარტიზ. მოძრაობის კერა.

ს-ის ძვ. ნაწილში ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ქუჩებია. რეგულარულად არის დაგეგმარებული ქალაქის დას. და სამხრ.-აღმ. რ-ნები. ხუროთმოძღვრული ძეგლები: მავრიტანული ციხე-დარბაზი ალკასარი (XII ს. დასასრულიდან; მინაშენები XIV—XVI სს.), XIII—XIV სს. გოტიკური ეკლესიები, გვიანდ. გოტიკური ტაძარი (1402—1506; XVI—XVIII სს. ესპ. ხელოვნ. მდიდარი კოლექცია), „კასა დე პილატოსი“ (XV ს. დასასრ. — 1553), „კასა ლონხა“ (ბირჟა, 1583—98, ხ. ბ. დე ერერას შეცვლილი პროექტით), XVII—XVIII სს. ეკლესიები.

სევილიის სკოლა, ერთ-ერთი ძირითადი სამხატვრო სკოლა XV—XVII სს. ესპანეთში. ამ სკოლის დამახასიათებელმა თვისებამ — სწრაფვამ რეალური სინამდვილის სიმართლით ასახვისაკენ — თავი იჩინა უკვე XV—XVI სს. დასაწყისში (ა. ფერნანდესი და სხვ.), ხოლო მკვეთრად გამოვლინდა XVI ს. დასასრ. და XVII ს. I ნახევარში (ფ. ერერა უფროსი, ფ. პაჩეკო). ს. ს-ის თვისებებმა (სახეთა ღრმა დემოკრატიზმი, მხატვრული ენის კონკრეტულობა) დიდად შეუწყვეს ხელი ესპანური ხელოვნ. გაფურჩქვნას XVII ს-ში.

სევინიე (Sévigné) მარი დე რაბიუტენ-შანტალი (Rabutin-Chantal) (5. II. 1626, პარიზი, — 17. IV. 1696, ციხე-დარბაზი გრინიანი, პროვანსი), მარკიზა დე, ფრანგი მწერალი ქალი. მონაწილეობდა პარიზის ლიტ. სალონების ცხოვრებაში, მიღებული იყო სასახლის კარზე. 20 წლის მანძილზე წერილებს სწერდა ქალიშვილს, რ-ებშიც მოუთხრობდა პარიზისა და ვერსალის ცხოვრებაზე. ამ ბრწყინვალე ეპისტოლარული ნიმუშების პუბლიკაცია 1726-იდან დაიწყო.

სევრის საზავო ხელშეკრულება 1920, შედის ვერსალ-ვაშინგტონის სისტემაში, ხელი მოაწერეს 10 აგვ. სევრში (პარიზის მახლობლად) ოსმ. სულთნის მთავრობამ, ანტანტის და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა. ხელშეკრულების მიზანი იყო ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის დანაწილება მოკავშირეთა შორის, ეგვიპტეზე ინგლ. პროტექტორატის დაწესებისა და კვიპროსის ანექსიის ცნობა ოსმ. მიერ, სრუტეებზე მოკავშირეთა კონტროლის დაწესება და ოსმალეთისათვის ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის მოსპობა. ს. ს. ხ-ს უნდა აღედგინა კაპიტულაციების რეჟიმი, ოსმ. საშინაო საქმეებში ანტანტის სახელმწიფოების ჩარევის უფლება. აშშ-ის პრეზიდენტს უნდა დაედგინა ოსმ. საზღვრები დაშნაკურ სომხეთთან (აშშ იმედოვნებდა მანდატის მიღებას სომხეთზე), მოკავშირეებს კი უნდა განესაზღვრათ ოსმალეთისათვის ჩამოსაცილებელი ქურთისტანის ტერიტორიის საზღვრები. ოსმ. ქემალისტურმა მთავრობამ უარყო ეს ხელშეკრულება. საბჭ. რუს. სამხ. და პოლიტ. დახმარებამ და *ათათურქის* არმიის გამარჯვებამ საბერძნეთთან ომში შესაძლებელი გახადა ს. ს. ხ-ის ოფიციალური გაუქმება ლოზანის კონფერენციაზე (1922 — 23).

სევრის ფაიფური, სევრის (პარიზის მახლობლად) ფაიფურის ქარხნის მხატვრული ნაკეთობანი. ფაიფურის მანუფაქტურა აქ 1756 ვენსენის ციხე-დარბაზიდან გადმოიტანეს. XVIII ს. შუა წლებიდან ს. ფ-ის წარმოება *როკოკოს*, ხოლო 1770-იდან 1830-მდე *კლასიციზმის* პრინციპებს ემყარებოდა. სევრში დაწნადებული ჭურჭელი და სხვა ნივთები გამოირჩევა ცვავილოვან ფონზე გამოყვანილი დახვეწილი, დანაწევრებული ორნამენტიკით. საუკეთესო ფიგურებისა და კომპოზიციების დასამზადებლად იყენებდნენ *ბისკვიტს*, რ-ისთვისაც მოდელებს ამზადებდნენ ლ. ს. ბუაზო, ე. მ. ფალკონე. თუ პირველად სევრის ნაკეთობები მზადდებოდა ე. წ. მსუბუქი ფაიფურისაგან, 1870-იანი წწ. დასაწყისში ამზადებდნენ მყარ ფაიფურს. 1880-იდან მსუბუქი ფაიფურის დამზადება შეწყდა. XX ს-ში სევრის ქარხანა, რ-ის პროდუქციის შექმნაში მონაწილეობენ ცნობილი მხატვრები, კვლავ რჩება ფრანგ. ფაიფურის წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 528—529.

სევსკი, ქალაქი რსფსრ ბრიანსკის ოლქში, მდ. სევის (დნეპრის აუზი) ნაპირზე. სევსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. კომარიჩიდან 43 *კმ*. ყველ-კარაქის, ბოსტნეულსახმობი, ქერელის დასამუშ. ქ-ნები.

სევუნცი (ნამდვ. გვარი გრიგორიანი) გარეგნ სევის ძე [21. I (3. II). 1911, სოფ. ხნძორესკი, ახლანდ. გორისის რ-ნი, სომხ. სსრ,—13. I. 1969, ერევანი], სომეხი საბჭ. მწერალი. სომხ. სსრ კულტ. დამს. მოღვაწე, სკკპ წევრი 1932-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1928-იდან. ავტორია მოთხრობათა კრებულისა „მიწას“ (1935), რომანებისა „ყურეში“ (1938), „ტყვეები“ (1958), „თეირანი“ (1—2 წიგნი, 1951, ქართ. თარგმ. 1957, 1968). დაჯილდოებულია 2 ორდენით და მედლებით.

სეზანი (Cézanne) პოლ (19. I. 1839, ექს-ან-პროვანსი, — 22. X. 1906, იქვე), ფრანგი ფერმწერი. პოსტიმპრესიონიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. სწავლობდა ექს-ან-პროვანსის მუნიციპალიტეტის ხატვის სკოლაში (1858—60) და პარიზში, სიუისის აკადემიაში (1861—65). ბავშვობის მეგობრის ე. ზოლას და კ. პისაროს მეშვეობით დაუახლოვდა მომავალ იმპრესიონისტ მხატვრებს (ე. მანე, კ. მონე, ო. რენუარი და სხვ.). მონაწილეობდა იმპრესიონისტების რამდენიმე გამოფენაში. ადრეულ ნამუშევრებში იგრძნობოდა პ. ვერონეზეს, ი. ტინტორეტოს, ე. დელაკრუას, ო. დომიეს, გ. კურბეს გავლენა, თუმცა ამ პერიოდის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია მძაფრი ექსპრესია („ორგია“, 1864—68, კერძო კუთვნილება, პარიზი; „მკვლელობა“ 1867—70, ვილდენშტაინის გალერეა, ნიუ-იორკი). 1870-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ს-ის საკუთარი ფერწერული სისტემა, რ-მაც დახვეწილი და დამთავრებული სახე 1880-იან წლებში მიიღო. პლენერზე მუშაობამ ს-ის პალიტრა ნათელი და სუფთა ფერებით გაამდიდრა. სწორედ ამ პერიოდში მხატვარი მკვეთრად გაემიჯნა იმპრესიონიზმს. მას აინტერესებდა ფერების არა მუდმივი ცვალებადობა და შუქ-ჩრდილის შემთხვევითი ეფექტები, არამედ ფერადოვანი გამის კანონზომიერი შეფარდებები და საგანთა მატერიალურობა („ჩამოხრჩობილის სახლი ოვერში“, 1872—73, იმპრესიონიზმის მუზეუმი, პარიზი). მხატვარი დიდხანს ამუშავებდა ერთსა და იმავე მოტივს, ისწრაფოდა ბუნების სიდიადის გახსნისაკენ, ცდილობდა შეექმნა ფორმის მთლიანობა (ლ. გიიომის პორტრეტი, 1879—82, ეროვნ. გალერეა, ვაშინგტონი; „პიერო და არლეკინი“, 1888, ს. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი; „ნატურმორტი ფორთოხლებითა და ვაშლებით“, 1895—1900, იმპრესიონიზმის მუზეუმი,პარიზი). იგი იყენებდა სამი ძირითადი ფერის (მწვანე, ცისფერი და ყვითელი) გრადაციებს. მისი კოლორიტი ფაქიზი ან მკვეთრად კონტრასტულია; აღწევს პეიზაჟის ეპიკურობას („სენტ-ვიქტუარის მთა ბიბემში“, დაახლ. 1905, ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი), ზუსტად გადმოსცემს საგნის სტრუქტურას, ნატურმორტში აღწევს საგნების პლასტიკურ სიმდიდრეს („ატმები და მსხლები“, 1880-იანი წწ. ბოლო). ს-ის შემოქმედების ბოლო წლებში თავი იჩინა წინააღმდეგობამ, რადგანაც იგი რეალურ მოცულობას შეგნებულად ამარტივებდა უბრალო გეომ.

ფორმების გამოყენებით. ს-ის ფერწერის პრინციპებმა საერთოდ უდიდესი გავლენა მოახდინა XX ს. სხვადასხვა მიმდინარეობის მხატვრებზე. ავანგარდისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები ს-ის ფერწერული პრინციპების ცალმხრივად განვითარების გამო, არვიადებდნენ მოცულობით ფორმებს (ე. წ. სეზანიზმი), ან მკვეთრად აძლიერებდნენ კოლორიტის ინტენსიურობას (ფოვიზმი), ზოგჯერ უკიდურესად ავითარებდნენ საგნის გეომეტრიზაციას და აბსტრ. სქემამდე მიდიოდნენ (კუბიზმი).

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 288.

სეზონი თეატრალური, წლის ის მონაკვეთი, როდესაც რეგულარულად მუშაობენ თეატრები, საკონცერტო დარბაზები და სხვ.

სეზონური მარაგი, იხ. *საწარმოო მარაგი.*

სეზონური მომუშავეები (საბჭ. სამართლის მიხედვით), ისეთ სამუშაოზე დასაქმებული პირები, რ-იც თავისი ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო სრულდება არა მთელი წლის, არამედ განსაზღვრული პერიოდის (სეზონის) განმავლობაში (არა უმეტეს 6 თვისა). ს. მ-ზე ერცელდება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წ. 24 სექტ. ბრძანებულებით დადგენილი შრომის კანონმდებლობა ზოგიერთი გამონაკლისით („სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1974, № 40, მ. 661). მაგ., ს. მ-ს შეუძლიათ შრომითი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ გააფრთხილონ ადმინისტრაცია 3 დღით ადრე. მათი განთავისუფლება ადმ. ინიციატივით შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ხამუშაო შეჩერება თუნდაც 2 კვირით ან საერთოდ შემცირდა. ს. მ. შეებულების ან მისი ფულადი კომპენსაციით შეცვლის უფლებით არ სარგებლობენ და სხვ

სეზონური ფასები, შესყიდვითი და საცალო ფასები ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე (კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი), რ-ებიც იცვლება სეზონის მიხედვით (იხ. *ფასწარმოქმნა*).

სეთი (Sth), ძვ. ეგვიპტის რელიგიასა და მითოლოგიაში უდაბნოსა და გვალვის, ქარიშხლისა და უამინდობის მომტანი, აზიელებისა და უცხოელების მფარველი ღვთაება. კულტის მთავარი ადგილი იყო ომბოსი (ახლანდ. ბალასის მახლობლად, ზემო ეგვიპტე). ს. წარმოდგენილია როგორც ოსირისის ძმა და მკვლელი, რ-ზედაც შემდგომ ოსირისის შვილი *ჰორი* იძიებს შურს. გვიან პერიოდში ს., როგორც ავი სულის განსახიერება, ოფიც. რელიგიურ პანთეონში აღარ შედიოდა. ბერძნ. მითოლოგიაში შეესატყვისებოდა ტიფონი.

სეთურნი, სოფელი დუშეთის რ-ში (ქვე-შეთის სოფსაბჭო), მთიულეთის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის ხეობაში. ზ. დ. 1840 *მ*, დუშეთიდან 72 *კმ*. მლეთის კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. კაიშაურში (3 *კმ*).

სეი (Say) ჟან ბატისტ (5. I. 1767, ლიონი, — 15. XI. 1832, პარიზი), ოპტიმისტური ლიბერალური სკოლის ფრანგი ეკონომისტი, *პოლიტიკური ეკონომიის* ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. კომერც. განათლება მიიღო ინგლისში, მონაწილეობდა საფრ. დიდ რევოლუციაში. 1794—99 თერმიდორელთა ჟურნალის — „Décade philosophique, littéraire et politique" რედაქტორი. 1803 გამოაქვეყნა „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი". ნაპოლეონის რეჟიმით უკმაყოფილობის გამო იძულებული გახდა მეწარმეობა დაეწყო საფეიქრო მრეწველობაში. 1813 იგი ხდება ჯერ კონსერვატორიის, ხოლო შემდეგ საფრ. კოლეჯის პოლიტ. ეკონ. პროფესორი (1819-იდან), არჩეული იქნა აკადემიკოსად. ს. თავისთავს ა. *სმიტის* მიმდევრად თვლიდა, სინამდვილეში იგი გამოვიდა *შრომითი ღირებულების თეორიის* წინააღმდეგ და გააღრმავა *კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის* წარმომადგენელთა შეცდომები. ს-მ შექმნა ფასიერულობის საკუთარი თეორია, რ-იც კ. მარქსმა გააკრიტიკა.

ს-ს ვულგარული მეთოდოლოგია და *წარმოების სამი ფაქტორის თეორია* ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ბურჟ. პოლიტ. ეკონომიაში. *ჯ. კახნიაშვილი.*

სეიდაბადი, თბილისის ერთ-ერთი ძვ. უბანი ქალაქის სამხრ.-აღმ. მხარეს, მდ. მტკვრის დინების მარჯვენივ, კრწანისის ველსა და თაბორის მთას შორის (ახლანდ. კიროვის სახ. რ-ნის ტერიტორია). სახელი ეწოდა XVII ს. 30-იან წლებში აქ დასახლებული სპარსული ტომის სეიდების მიხედვით (სეიდ-აბად, ე. ი. სეიდების დასახლება). ს. ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რეგიონი იყო. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზა, ე. წ. განჯის გზა, რ-იც თბილისს აღმ. ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან აკავშირებდა. XVIII—XIX სს. მიჯნაზე ს-ს *ბარფუხი* ეწოდა (ახლანდ. გოგირდოვანი წყლების აბანოების რ-ნი). შემორჩენილია ქალაქის ზღუდის ნაშთი — ე. წ. განჯისკარი, რ-ის მიდამოებში 1948—49 ჩატარებულმა არქეოლ. გათხრებმა დაადასტურა აქ IX—XIII სს-ში მეთუნეთა უბნის არსებობა.

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის გარუბნების ისტორია, თბ., 1977; ბერძნიშვილი ზ., თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965. *თ. ბერიძე.*

სეიდ აზიმ შირვანი (9. VII. 1835, შემახა, — 20. V. 1888, იქვე). აზერბაიჯანელი პოეტი და განმანათლებელი. ერაყში მიიღო უმაღლესი სას. განათლება. სამშობლოში დაბრუნებულმა სას. წოდებაზე უარი თქვა და კერძო სასწავლებელი გახსნა. წერდა სატირულ ლექსებსა და იგავებს. ლირ. ღაზალებში ფუზულის ტრადიციებს აგრძელებს.

სეიდების მოძრაობა, ანტიფეოდალური და ანტიმონღოლური სახალხო მოძრაობა XIV ს. მაზანდარანსა და გილანში (ირანი). მოძრაობას მეთაურობდა სუფიური დერვიშული ორდენის ჰასანიეს შეიხი და ხორასანში *სარბედართა აჯანყებების* მონაწილე სეიდ ყავამ ალ-დინ მარაში. 1360 შეიქმნა სეიდების სახელმწიფო, რ-იც ახლოს იდგა სარბედართა სახელმწიფოსთან. ამ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა შეიხი მარაში. 1392 სახელმწიფო დაიპყრო თემურლენგმა. 1406 ახ. სახ. აჯანყების შედეგად სეიდების სახელმწ. აღდგა და თანდათანობით გადაიქცა ჩვეულებრივ ფეოდ. სახელმწიფოდ, რ-მაც XVI ს. დასასრულამდე იარსება. ანალოგიური „სეიდური" სახელმწიფო წარმოიშვა 1370 გილანის აღმ. ნაწილში (დედაქალაქი ლაჰიჯანი) სახ. მოძრაობის შედეგად შეიხ ალა ქიას მეთაურობით. ამ სახელმწიფომ 1592-მდე იარსება. ორივე სახელმწიფო სეფიანებმა გაანადგურეს.

სეიდი (<არაბ. საიდ—ბატონი), მაჰმადის ჩამომავალი; კეთილშობილური წარმოშობის მუსლიმანთა საპატიო ტიტული. ადრინდ. შუა საუკუნეებში ს. იყო ტომთა კავშირის ან ტომის წინამძღოლი არაბეთში.

სეიდოვი ჰასან ნეიმათ-ოღლუ (დ. 16. VIII. 1932, სოფ. ყაჩაღანი, მარნეულის რ-ნი), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. აზერბ. სსრ დამს. ინჟინერი (1969), სკკპ წევრი 1956-იდან. დაამთავრა აზერბ. პოლიტექ. ინ-ტის მექან. ფაკ-ტი. 1956—65 მუშაობდა ლეიტენანტ შმიდტის სახ. ბაქოს მანქანათმშ. ქ-ნაში ოსტატის თანაშემწედ, მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგად, ცვლის, უბნის უფროსად, მექან. საამქროს უფროსის მოადგილედ, მექან. და მექან.-საამწყობო საამქროების უფროსად, ქ-ნის მთ. ინჟინრის მოადგილედ. 1965—71 წლებში მუშაობდა ამავე ქ-ნის დირექტორად. შემდეგ აზერბ. კპ ცკ-ში სამრეწვ.-სატრანსპ. განყ-ის გამგედ (1971 თებ.-მარტი), ცკ-ის მდივნად (1971—81). 1981 იანვ.-იდან აზერბ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რეა. 1971-იდან სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, აზერბ. კპ ცკ-ის ბიუროს წევრი. სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი. სსრკ X და XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სეიდხოჯალო, სოფელი მარნეულის რ-ში (შულავრის სოფსაბჭო), მარნეულის ვაკეზე, მდ. დებედის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 355 *მ*, მარნეულიდან 19 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. არაფლოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. არამადნეული მასალის ქ-ნა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. არაფლოში (2 *კმ*).



ჰ. სეზანი.

სეივალი (Balaenoptera borealis), ზღვის ძუძუმწოვარი *უკბილო ვეშაპების* ქვერიგისა. მისი სხეულის სიგრძე 18,8 *მ* აღწევს. აქვს მუქი ზურგი, ნაცრისფერი გვერდები, რ-ებზეც წვრილი თეთრი ლაქები აყრია, მუცელი ზოგის ნაცრისფერია, ზოგისა — თეთრი. ზურგის ფარფლი მოზრდილია. ს. კოსმოპოლიტია—გავრცელებულია არქტიკიდან ანტარქტიკამდე; სსრკ ზღვებში გვხვდება კურილის სერების მახლობლად, მეტად იშვიათად — ბარენცის ზღვაში. იკვებება კიბოსნაირებით, თავფეხიანი მოლუსკებით. მაკეობა 1 წლამდე გრძელდება. ს. რეწვის ობიექტია, რის გამოც მისი რაოდენობა თანდათან მცირდება.



სეივალი.

სეითაქოვი ბექი [დ. 18 (31). III. 1914, სოფ. ბედირქენთი, ახლანდ. თახთის რ-ნი თურქმ. სსრ], თურქმენი საბჭ. მწერალი. თურქმ. სსრ სახ. მწერალი (1967), თურქმ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1969). სკკპ წევრი 1942-იდან. თურქმ. სსრ მაქთიმყულის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1966). ნაწარმოებებს აქვეყნებს 1935-იდან. 1937-იდან ეწევა ჟურნალისტურ და პედ. მოღვაწეობას. ეკუთვნის ლექსთა კრებ. „ახალგაზრდობა" (1938), პოემები „ცეცხლში" (1940), „მეგობრები" (1941), „გმირი" (1946) და სხვ., მოთხრ. კრებულები „ბედნიერი თაობა" (1939), „სოფლური მოთხრობები" (1948), რომანი „პოეტი" (1958), ტეტრალოგია „ძმები" (1—4, 1958—72, IV ნაწ. სათაურია „ბედირქენთი"). თურქმ. სსრ VI—VII მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ორდენით და მედლებით.

სეით თარგმანი, დაახლ. VIII—IX სს. ქართველი მთარგმნელი. მოღვაწეობდა იერუსალიმში, საბას ლავრაში. მას უთარგმნია 25 პაგიოგრაფიული თხზულება—იმ მოწამეთა „ცხოვრება" და „მარტვილობა", რ-ებიც მოღვაწეობდნენ იმპ. დიოკლეტიანეს (239—313) დროს ან მასზე ადრე. ს. თ-ის ვინაობისა და საქმიანობის შესახებ ერთადერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა დაცულია ვინმე პავლეს მიერ პალავრაში გადაწერილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულში (ხელნაწ. Sin—№11, X ს.), სადაც აღნიშნულია, რომ „ითარგმნა იერუსალჟმს ჴელითა სეთ თარგმანისაჲთა". ს. თ-ის თარგმანები შეიცავს კიმენურ ტექსტებს, რ-თა უმეტესობა გამოუცემელია.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980. *ი. ლოლაშვილი.*

სეითლიევი ყარა (1. I. 1915, სოფ. ყარალანი, ახლანდ. ბაჰარდენის რ-ნი,—2. V. 1971, აშხაბადი), თურქმენი საბჭ. პოეტი და სახელმწ. მოღვაწე. თურქმ. სსრ სახ. მწერალი (1967). სკკპ წევრი 1950-იდან. მისი პირველი კრებულია „პოეტის ქნარი" (1941). აქვს პატრ. და ლირ. ლექსები. 1966 ორატორიის ტექსტისათვის „ლენინი" (1964, მუსიკა დ. ოვეზოვისა) მიენიჭა თურქმ. სსრ მაქთიმყულის სახ. სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

„სეილანიანი", სპარსული ხალხური დასთანის „სეჰელანნამეს" ქართული ვერსია. 1791 გადმოსცა *იოანე ბატონიშვილის.* შედგება რამდენიმე წიგნისაგან: საკუთრივ

„სეილანნამე", „ჯანგნამე", „არდაშირნამე", „რუმნამე", „მაშრიყნამე". „იადა". ლექსნარევი პროზით დაწერილი ვრცელი თხზულება პირობით უკავშირდება მთავარი გმირის სეილან საჰიბყირანის სახელს. „ს." ფაქტობრივად სხვადასხვა სიუჟეტის მქონე სათავგადასაველო ეპიზოდების კრებულია. მის სპარს. წყაროს ჩვენამდე არ მოუღწევია, რაც ზრდის ქართ. ვერსიის მნიშვნელობას. ძეგლი გამოცემული არ არის.


ლიტ.: გვახარია ა., სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973; იმედაშვილი გ., სეილანიანი და რაინდული რომანის ზოგი საკითხი, «ლიტერატურული ძიებანი», 1956, [ტ.] 10. ა. გვახარია.

სეიმი (პოლ. sejm, ლიტვ. saimas, ჩეხ. sněm), 1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება წოდებრივ ფეოდალურ მონარქიებში — პოლონეთსა და ლიტვაში (და გაერთიანებულ პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოში — რეჩ პოსპოლიტაში), ჩეხიაში XIII—XIV სს. — XX ს. დამდეგს. 2. რუსეთის იმპერიაში ავტონ. უფლებით შემავალი ფინეთის დიდი სამთავროს (1809—1917) პარლამენტის რუსული სახელწოდება. 3. პარლამენტები ბურჟ. ლიტვაში 1922—40 (1922 კონსტ.), ბურჟ. ლატვიაში 1922—34 (1922 კონსტ.); ბურჟ. პოლ. პარლამენტის ქვედა პალატა (1921 კონსტ.). 4. პოლ. სრ-ის 1952 კონსტიტუციით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო. ირჩევენ 4 წლის ვადით (იხ. აგრეთვე *პოლონეთი*, სახელმწიფო წესწყობილება).


სეინერი (ინგლ. seiner < ლათ. seine — ქისისებრი ბადე), *თევზსარეწი გემი*; იყენებენ ქისისებრი ბადეებით თევზის ჭერისას. ს. ერთანძიანი გემია; აქვს ცხვირისკენ გაწეული ზედნაშენი, ბადის ამოსაწევი და დასაკეცი მოწყობილობები, თევზის გასაციებელი და დასამუშ. მანქანები, თევზსაძებნი აპარატურა. ს-ის კიჩოზე არის ბადის შესანახი და დასამუშ. სივრცე და საბრუნი ბაქანი, საიდანაც ბადე წყლიდან ამოაქვთ. თევზის ჭერისას ბადის ერთი ბოლო დამაგრებულია დამზმარე ძრავიან ნავზე. სსრკში გავრცელებულია რს-300, სო, ბჩს (სიგრძე — 25—35 *მ*, მთავარი ძრავას სიმძლავრე — 220 *კვტ*) ტიპის ს-ები, აგრეთვე „ალპინისტის" ტიპის ს. — ტრაულერი (სიგრძე — 49 *მ*, სიმძლავრე — 970 *კვტ*, სიჩქარე—13 *კვძ*).

სეირანი, მეცხოველეობის შენობის მახლობლად ანდა უშუალოდ მის გარშემო შემოღობილი ნაკვეთი, სადაც ცხოველები ღია ცის ქვეშ არიან. ს-ის ფართობი დამოკიდებულია ცხოველთა სახეობაზე, ასაკსა და რაოდენობაზე.

სეირანიანი ბენიკ მკრტიჩის ძე (დ. 12. XII. 1913, სოფ. კოთი, სომხ. სსრ), სომეხი საბჭ. მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი. საქ. სსრ კულტ. დამს. მუშაკი. სკკპ წევრი 1942-იდან. პირველი მოთხრობა 1933 გამოაქვეყნა. აქვს რომანები („გზები და ბედისწერა", 1962, ქართ. თარგმ. 1973, და სხვ.), მოთხრობები, პიესები, ნარკვევები. 1970 მოთხრობისათვის „გულის კვა-



სეისმოგრაფი. სკმ – 3 სეისმომეტრის გარე ხედი.



სეისმოგრაფის სქემა: 1— სეისმომეტრის ტვირთი; 2— დემპფერი (ტვირთის საკუთარი რხევების ჩასაქრობი მოწყობილობა); 3—ტვირთის მოძრაობის ელექტრულ სიგნალად გარდამქმნელი; 4 – ფილტრ-მაძლიერებელი; 4—თეითმწერი.

მლი" (1969) მიიღო იუნესკოს I პრემია. 1974-იდან საქართვ. მწერალთა კავშირის სომხ. სექციის თავ-რეა. თარგმნა კ. ლორთქიფანიძის, ო. ჭელიძის, რ. ინანი'ძვილის, ნ. დუმბაძის, ე. ყიფიანის, ი. რურუასა და სხვ. თხზულებები. ა. ბარატიანი.

სეისმო... (<ბერძნ. seismos — რყევა, მიწისძვრა), რთული სიტყვის ნაწილი; მიანიშნებს კავშირზე დედამიწის ქერქის რყევასთან (მიწისძვრასთან, მიწისქვეშა რყევებთან). მაგ., სეისმოგრაფი, სეისმოლოგია.

სეისმოგრაფი (*სეისმო...* და ბერძნ. graphō — ვწერ), მიწისძვრისა და სეისმოძიების დროს დედამიწის ქერქის რხევების ჩასაწერი ხელსაწყო. შედგება სეისმური სიგნალის მიმღები ხელსაწყოსა (სეისმომეტრი) და მარეგისტრირებელი მოწყობილობისავან. ელექტროდინამ. ს-ში რხევებს ღებულობს ხელსაწყოს კორპუსი, რ-ის გადანაცვლება კორპუსთან ზამბარებით დაკავშირებული ინერტული ტვირთის მიმართ გარდაიქმნება ელექტრულ რხევებად, თხევად გარემოში (ზღვაზე, ჭაბურღილში) კუმშვის მოცულობითი ტალღების სარეგისტრაციოდ იყენებენ პიეზოელექტრულ ს-ს.

სეისმოკარდიოგრაფია (*სეისმო...*, *კარდიო...* და *...გრაფია*), გულის მოქმედებით გამოწვეული სეისმური ეფექტის ჩაწერა, ბალისტოკარდიოგრაფიის სახესხვაობა. გულის მუშაობის დროს ცხოველის სხეული ირხევა, რ-ის ჩანაწერიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ გულის შეკუმშვის ძალაზე, მოქმედების ფაზების შეფარდებაზე და სხვ.

სეისმოლოგია (*სეისმო...* და *...ლოგია*), გეოფიზიკის დარგი, რ-იც შეისწავლის მიწისძვრებსა და მათ თანმხლებ მოვლენებს.

თანამედროვე ს-ის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა *მიწისძვრის პროგნოზის* საიმედო კრიტერიუმების დამუშავება. ამ მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს მ ი წ ი ს ძ ვ რ ი ს მ ო მ ა ს წ ა ვ ე ბ ე ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი ს კ ვ ლ ე ვ ა. პროგნოზირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია *სეისმური დარაიონება*. მიწისძვრების შესახებ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაციის შეკრების მიზნით შექმნილია ს ე ი ს მ ი ს უ რ ი ს ა დ გ უ რ ე ბ ი ს ქსელი (იხ. *სეისმური სამსახური*). ს-ის მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე მიწისძვრებითა და აფეთქებებით გამოწვეული *სეისმური ტალღების* გავრცელების თავისებურებების შესწავლის გზით დედამიწის შიგა აგებულების კვლევა. ამავე მონაცემების საფუძველზე ინტენსიურად ხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა განაწილების კანონზომიერებათა გამოვლენა (იხ. სტ. *სეისმური მეთოდები ძიებისა*). ს-ში ცალკე დარგად ჩამოყალიბდა ს ა ი ნ ჟ ი ნ რ ო ს., რ-ის ამოცანაა საინჟინრო-გეოლ. მონაცემების და სეისმომეტრიული ინსტრუმ. დაკვირვებების საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების მომზადება *სეისმომედეგი მშენებლობისათვის*. ს-ის მნიშვნელოვანი დარგია მ ი წ ი ს ძ ვ რ ი ს კ ე რ ი ს ფ ი ზ ი კ ა, რ-ის ამოცანაა კერაში მიმდინარე ფიზ. პროცესების შესწავლა. თანამედროვე ს-ს აქვს მაღალმგრძნობიარე ხელსაწყოები; ინფორმაცია მუშავდება თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით. სეისმური რხევების მარეგისტრირებელი ხელსაწყოებისა და მეთოდების შემუშავება წარმოადგენს ს ე ი ს მ ო მ ე ტ რ ი ი ს ამოცანას.

დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ს. XIX ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა. XIX ს. დასასრულიდან ს-ში ინერგება ინსტრუმ. დაკვირვებები და კვლევის ფიზ.-მათ. მეთოდები. ს-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბ. *გოლიცინმა*, გერმ. გეოფიზიკოსმა ე. ვიხერტმა, ინგლ. ჯ. მილნმა, ჯ. *ჯეფრისმა*, ა. *მოხოროვიჩიჩმა*, იაპ. მეცნ. ფ. ომორიმ, ბ. *გუტენბერგმა* და სხვ. რუსეთში 1888 შეიქმნა რუს. გეოგრ. საზ-

ბის სეისმური კომისია. ინსტრუმ. ს-ს საფუძველი ჩაუყარა პეტერბ. მეცნ. აკადემიაში მუდმივი სეისმური კომისიის შექმნამ (1900). სსრკ-ში სეისმოლოგიური გამოკვლევები ტარდება სსრკ მეცნ. აკად. ო. შმიდტის სახ. *დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში*, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნ. აკადემიების შესაბამის სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებში და სხვ. სსრკ-ში კვლევას ს-ის დარგში კოორდინაციას უწევს სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საუწყებათაშორისო საბჭო. საერთაშ. თანამშრომლობას ს-ის დარგში ახორციელებს სეისმოლოგიისა და დედამიწის წიაღის ფიზიკის საერთაშ. ასოციაცია, რ-იც არსებობს *გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირთან*. ს-ის დარგის ძირითადი პერიოდული გამოცემებია: სსრკ-ში—„Известия АН СССР. Серия геофизическая" (М., 1951-იდან; 1965-იდან — „Серия Физики Земли"), „Вулканология и сейсмология" (М., 1975-იდან); საზღვარგარეთ — «Bulletin of the Seismological Society of America» (Stanford, 1911-იდან), «Bulletin of the Earthquake Research Institute. Tokyo University» (Tokyo, 1926-იდან), «Geophysical Journal. Royal Astronomical Society» (L., 1958-იდან), «Earthquake Notes» (Wash., 1929-იდან), «Journal of the Geodetic Society of Japan» (Tokyo, 1954-იდან), «Journal of Physics of the Earth» (Tokyo, 1952-იდან), «Journal of the Seismological Society of Japan» (Tokyo, 1948-იდან), «Quarterly Journal of Seismology» (Tokyo, 1925-იდან), «Tectonophysics» (Amst., 1964-იდან). პერიოდული გამოცემები იხ. აგრეთვე სტატიასთან *სეისმური სამსახური*.

საქართველოში სეისმური ინსტრუმ. დაკვირვებები დაიწყო 1899-იდან თბილ. ფიზ. ობსერვატორიაში. შემდეგ კი სეისმური სადგურები დაარსდა ბათუმში (1902), ახალქალაქსა (1903) და ბორჯომში (1903). საბჭ. ხელისუფლების წლებში შეიქმნა ვრცელი ქსელი სეისმური სადგურებისა, რ-ებიც მუშაობენ სსრკ სეისმურ დაკვირვებათა ერთიანი სისტემის პროგრამით. ს-ის დარგში წამყვანი სამეცნ. დაწესებულებაა საქ. სსრ მეცნ. აკად. *გეოფიზიკის ინსტიტუტი*. ს-ის. მომიჯნავე დარგებში კვლევა ტარდება საქ. სსრ მეცნ აკად. ა. ჯანელიძის სახ. *გეოლოგიურ ინსტიტუტში* და კ. ზავრიევის სახ. *სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში*, აგრეთვე სხვა დაწესებულებებში. ს-ის აქტუალური პრობლემების საკოორდინაციოდ შექმნილია საქ. სსრ მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტისა და საქ. სსრ მეცნ. აკად. მიწისძვრის პროგნოზის საუწყებათაშორისო საპრობლემო საბჭო. საქართველოში ს-ის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ე. *ბიუსის*, ს. ჰლასეკის, გ. *თვალთვაძის*, ა. *ცხაკაიას* და სხვ. სამეცნ. და სამეცნ.-ორგანიზაციულმა ჩოღუაღეობამ.

ლიტ.: სავარენსკი ე., კირნოსი დ., სეისმოლოგიის და სეისმომეტრიის ელემენტები, თბ., 1965; Цхакая А. Д., Очерк развития сейсмологии в Грузии, Тб., 1950.

სეისმომედეგი მშენებლობა, სამშენებლო ტექნიკის დარგი, რ-იც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობათა სიმტკიცისა და მდგრადობის შენარჩუნებას 7-, 8- და 9-ბალიანი (სსრკ-ში მიღებული 12-ბალიანი *სეისმური სკალით*) მიწისძვრის დროს. იმ რ-ნებში, სადაც მოსალოდნელია 9 ბალზე მეტი ინტენსიურობის მიწისძვრა, მშენებლობის წარმოება საერთოდ მიზანშეწონილი არაა.

XX ს. დასაწყისში იაპონიაში დაამუშავეს სეისმომედეგობის სტატ. თეორია, რ-ის თანახმად, ნაგებობაზე მოქმედი სეისმური ძალა ტოლია მიწისძვრის დროს გრუნტის მაქს. აჩქარებისა და ნაგებობის მასის ნამრავლისა. ეს თეორია უგულებელ-

ყოფს გრუნტის რხევათა კანონზომიერებისა და ნაგებობის დინამ. თვისებების (საკუთარ რხევათა ფორმის, პერიოდისა და მილევის კოეფიციენტის) გათვალისწინების აუცილებლობას. ეს უკვე ასახულია საყოველთაოდ აღიარებულ სეისმოშედეგობის დინამ. თეორიაშიც, რ-ის პირველი ვარიანტი დაამუშავეს საქ. სსრ-ში XX ს. 30-იან წლებში აკად. კ. *ზავრიევის* ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, ქართ. მეცნიერებმა და ინჟინრებმა დიდი წვლილი შეიტანეს ე. წ. საინჟინრო სეისმოლოგიის განვითარებაში; ქვის, აგურისა და მსხვილი ბლოკებისაგან ასაგები შენობების, გარსული ტიპის სივრცითი კონსტრუქციების, ჰიდროტექ., საგზაო და მიწისქვეშა ნაგებობების სეისმოშედეგობის საკითხების შესწავლაში.

ს. მ-ის ნორმებსა და წესებში მოცემულია სეისმურ რ-ნებში მშენებლობის ძირითადი პირობები: შენობის გეგმის სიმარტივე და სიმეტრიულობა, შენობის მასის სიმცირე, მისი სიმძიმის ცენტრის დაბალი მდებარეობა, ნაგებობათა მასისა და სისტემის თანაბარსიმეტრიული განაწილება, მზიდი ელემენტების დიდი დასაშვები მოქნილობა და მათი ურთიერთშეერთების ადგილებში (კვანძებში) პლასტ. დეფორმაციების განვითარების შესაძლებლობა. განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ ქვით, აგურითა და ბეტონის წვრილი ბლოკებით ასაგებ შენობებს, რ-თაც ყველაზე მეტად აზიანებს მიწისძვრა. ს. მ-ის ნორმებითა და წესებით შეზღუდულია შენობის სართულიანობა, განივი მზიდი კედლების ურთიერთდაშორება, შუაკედლისებისა და ღიობების ზომები, სართულის სიმაღლისა და კედლის სისქის თანაფარდობა, სავალდებულოა საკედლე მასალასა და დუღაბს შორის მაღალი შეჭიდულობის უზრუნველყოფა, კედლების ურთიერთგადაკვეთის ადგილებში წყობის დაარმატურება, კედლების გასწვრივ შეკრულკონტურიანი რკინაბეტონის სარტყლების მოწყობა და მათთან სართულთშორისი გადახურვების საიმედოდ შეერთება.

სეისმომედეგობაზე სრულყოფილად გაანგარიშებული მსხვილბლოკიანი და მსხვილპანელიანი შენობები ნაკლებ სპეც. ღონისძიებებს საჭიროებს, რადგან მათი კონსტრუქცია უკეთ უძლებს სეისმურ ძალებს. შენობა-ნაგებობათა სეისმომედეგობას სავსებით უზრუნველყოფს ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების მკაცრი დაცვა და მშენებლობის წარმოების მაღალი ხარისხი.

ლიტ.: Завриев К. С., Основы теории сейсмостойкости, «Труды Закавказского ин-та сооружений», 1932, в. 9; Карцивадзе Г. Н., Сейсмостойкость дорожных и искусственных сооружений, М., 1974; Нацветаридзе Ш. Г., Сейсмостойкость гидротехнических сооружений, М., 1959; Онишвили О. Д., Некоторые динамические задачи теории оболочек, М., 1957.

შ. ნაფეტვარიძე.

სეისმონასტია (*სეისმო...* და *ნასტია*), მცენარის ორგანოთა მოძრაობები შეხებისა და შერხევის საპასუხოდ. მკვეთრად აქვს გამოხატული მორცხვი მიმოზის ფოთლებს, აგრეთვე ბევრი მცენარის (ღიღილოს, კოწახურის) მტვრიანის ძაფებს (მათი შეკუმშვა ან გადაღუნვა). შეკუმშვით მოძრაობებს საფუძვლად უდევს ქსოვილთა ელექტროფიზიოლ. მდგომარეობის ცვლილებები.

სეისმოტექტონიკა (*სეისმო...* და *ტექტონიკა*), გეოლოგიის და სეისმოლოგიის მომიჯნავე დარგი, რ-იც შეისწავლის მიწისძვრების წარმოშობის გეოლ. (ტექტონ.) პირობებს. ს-ის კვლევის ობიექტებია: ალპური და წყნაროკეანური ნაოჭა სარტყლების ეპიგეოსინკლინური ოროგენებ, განვითარების საწყის სტადიაში მყოფი თანამედროვე გეოსინკლინები, ეპიბაქნური ოროგენები, თანამედროვე რიფტები, ბენიოფის ზონები, უახლეს ტექტონ. მოძრაობათა გამოვლინების არეები. სეისმოტექტონ. კვლევის შედეგების მიხედვით იქმნება სეისმოტექტონ. რუკები, რ-ებზედაც ერთადაა მოცემული ინფორმაცია საკვლევი ტერიტ. ტექტონ. აგებულებისა და მიწისძვრების ეპიცენტრული ზონების შესახებ. სიესმოტექტონ. მონაცემები საფუძვლად უდევს ტერიტ. *სეისმურ დარაიონებას.*

ე. ჯიბლაძე.

სეისმური დარაიონება, სეისმურად აქტიურ რეგიონებში პოტენციური სეისმური საშიშროების შეფასების გზით ერთნაირი სეისმურობის (მიწისძვრის სიხშირე, ძალა და სხვ.) მქონე ტერიტორიების გამოყოფა. ს. დ. ეფუძნება წარსულში მომხდარი მიწისძვრების შესახებ არსებულ ინსტრუმ. და მაკროსეისმურ მონაცემებს (დედამიწის ზედაპირზე რხევათა ინტენსიურობა, მიწისძვრის კერების სივრცითი განაწილება, კერების ზომები, მიწისძვრების მაგნიტუდები, ენერგია, სიხშირე და სხვ.), აგრეთვე რეგიონის გეოლ. თავისებურებებს (გეოლ. განვითარების ისტორია, უახლეს და თანამედროვე ტექტონ. მოძრაობთა ინტენსიურობა და კონტრასტულობა, ტექტონ. რღვევათა ასაკი, ხასიათი, აქტიურობა და სხვ.). სეისმურად საშიში კონკრ. უბნის ადგილ. თავისებურებების — გრუნტებისა და მათ ქვე'მ მდებარე ქანების ფიზ. თვისებები, დედამიწის ქერქის ზედა ფენების სისქე, მზრალი ქანების არსებობა, ტექტონ. პირობები, რელიეფის თავისებურებები, შემოსული სეისმურ ტალღათა სპექტრული თვისებები და სხვ.— გათვალისწინებით აზუსტებენ ნაგებობებზე სეისმური ზემოქმედების ინტენსიურობას, რაც წარმოადგენს სეისმური მიკრორაიონების ამოცანას. ს. დ-ს გრაფიკულად გამოხატავენ *სეისმურ რუკებზე.* ს. დ. საფუძვლად უდევს *სეისმომედეგი მშენებლობის* ნორმებისა და წესების შემუშავებას.

ლიტ.: Методические рекомендации по сейсмическому районированию территории СССР, М., 1974; Сейсмическое районирование территории СССР, М., 1980.

ი. აივაზიშვილი. ვ. პაპალაშვილი.

სეისმური მეთოდები ძიებაში, სეისმოძიება, სამიებო გეოფიზიკის მეთოდები, რ-თა საშუალებით იკვლევენ დედამიწის ქერქის გეოლ. აგებულებას, მასში ხელოვნური აფეთქებებით წარმოქმნილი დრეკადი ტალღების (*სეისმური ტალღების*) გავრცელების კანონზომიერების შესწავლის საფუძველზე. დედამიწის წიაღში გავლის დროს ტალღები სხვადასხვა დრეკადი თვისებების მქონე გარემოთა (ქანები) გამყოფ საზღვარზე დაცემისას გარდატყდებიან და აირეკლებიან. ამის გამო ამ ტალღების ერთი ნაწილი უბრუნდება დედამიწის ზედაპირს, სადაც სპეც. ხელსაწყოებით ხდება მათი რეგისტრაცია. ტალღების სხვადასხვა პარამეტრების საფუძველზე ადგენენ ამრეკლავი ან გარდამტეხი ზედაპირების განლაგების სიღრმეს, მორფოლოგიას, ზოგჯერ გავლილი ფენების ნივთიერ შედგენილობას. სეისმოძიებაში ძირითადად იყენებენ გრძივ ტალღებს, უფრო იშვიათად — განივს. რეგისტრირებული ტალღის სიხშირე მერყეობს 3—5 *ჰც*-იდან 150—250 *ჰც*-მდე. სეისმოძიება ტარდება საგანგებოდ შერჩეული პროფილების გასწვრივ, რ-ებზედაც გარკვეული ინტერვალით განლაგებულია რხევათა წყარო და რხევათა მიმღები მოწყობილობა. განარჩევენ სეისმოძიების ორ ძირითად მეთოდს: არეკლილ ტალღათა მეთოდს და გარდატეხილ ტალღათა მეთოდს. პირველის საფუძველზე შეიქმნა ღრმა სეისმური ზონდირების მეთოდი, რ-იც საშუალებას იძლევა შეისწავლოთ დედამიწის ქერქის აგებულება რამდენიმე ათეული *კმ* სიღრმეზე, და მაღალსიხშირული სეისმოძიების მეთოდი, რ-იც ძცირე ზომის ობიექტების (თხელი ფენები, მადნეული სხეულები და სხვ.) კვლევის საშუალებას იძლევა. მეორის საფუძველზე შეიქმნა გარდატეხილ ტალღათა კორელაციის მეთოდი, ძირითადად დანალექი ფენის სტრუქტურის შესასწავლად. სეისმოძიებას განეკუთვნება აგრეთვე სეისმური *კაროტაჟი.*

ძიების სეისმურ მეთოდებს ფართოდ იყენებენ სტრუქტურულ-გეოლ. ამოცანების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით ნავთობისა და აირის ბუდობების დაგროვებისათვის ხელსაყრელი სტრუქტურების გამოსავლინებლად; ამ სტრუქტურებში ნავთობისა და აირის არსებობის პროგნოზირებისათვის. ამ მეთოდებს იყენებენ აგრეთვე მადნეულ ველთა სტრუქტურისა და რეგიონულ რღვევათა შესწავლისათვის, საინჟინრო გეოლ. ამოცანების გადასაწყვეტად და სხვ.

ლიტ.: Гамбурцев Г. А., Основы сейсморазведки, 3 изд., М., 1959; Гурвич И. И., Сейсмическая разведка, 3 изд., М., 1975; Корреляционный метод преломленных волн, М., 1952.


რ. ბაბარაძე.

სეისმური რუკა, რუკა, რ-ზედაც აღნიშნულია მიწისძვრების სხვადასხვა მახასიათებელი ან სეისმური მეთოდებით დედამიწის ქერქის აგებულების კვლევის შედეგები. იზოსეისტების რუკის მიხედვით, რ-საც ძლიერი მიწისძვრებისათვის ადგენენ, შეიძლება ვიმსჯელოთ დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრების ინტენსიურობის ფართობრივი განაწილების შესახებ. რეგიონული სეისმოლოგიური კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ეპიცენტრების რუკას, მიწისძვრების კერების სიღრმის რუკას, მიწისძვრის ენერგიის რუკას და სხვ. ჩამოთვლილი რუკებისა და იმავე ტერიტ. ტექტონ. რუკის სინთეზის საფუძველზე ადგენენ სეისმოტექტონიკურ რუკას. სეისმურად აქტ. რ-ნებში სეისმომედეგი მშენებლობის სწორი წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სეისმური დარაიონების რუკას, რ-ზედაც გამოყოფილია განსხვავებული პოტენციური სეისმურად საშიში ზონები. სეისმური მეთოდებით დედამიწის ქერქის აგებულების კვლევის შედეგად ადგენენ სტრუქტურულ ს. რ-ს, ფენებში სიჩქარეთა განაწილების რუკას, ფენების ზღვრულ სიჩქარეთა რუკას და სხვ. *ი. აივაზიშვილი. ვ. პაპალაშვილი.*

სეისმური სამსახური, სამუშაოთა კომპლექსი, რ-ის მიზანია მიწისძვრებზე მუდმივი დაკვირვება და მილებული მასალის დამუშავება სტანდარტული პროგრამითა და მეთოდებით. დაკვირვებები მიწისძვრებზე მიმდინარეობს სეისმური სადგურების ქსელის საშუალებით. ს. ს-ის ძირითადი ამოცანაა მიწისძვრის კერის პარამეტრების (ჰიპოცენტრის/ კოორდინატები, კერაში ძვრების წარმოქმნის დრო, ენერგეტ. მახასიათებლები და სხვ.) სისტემური განსაზღვრა. ს. ს. არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სსრკ-ში შექმნილია სეისმურ დაკვირვებათა ერთიანი სისტემა, აშშ-ში — ეროვნ. ს. ს., იაპონიაში — იაპ. მეტეოროლ. სააგენტო და სხვ. საერთაშ. მასშტაბით ს. ს-ს ახორციელებს საერთაშ. სეისმოლოგიური ცენტრი დიდ ბრიტანეთში. ს. ს-ის მონაცემები ქვეყნდება სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში: „Сейсмологические бюллетени сети опорных сейсмических станций СССР" (1962-იდან); „Землетрясения в СССР" (წელიწდეული, 1964-იდან); „Bulletin of the International Seismological Centre" (Edin., 1967-იდან); „The Seismological Bulletin of the Japan Meteorological Agency" (Tokyo, 1951-იდან).

სეისმური სკალა, სკალა, რ-საც იყენებენ დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრის ინტენ-

სეისმური ტალღები.




ა

ბ

ნახ. 1.

გრძივი (ა) და განივი (ბ) სეისმური ტალღების რხევების ბლოკდიაგრამა.



ნახ. 2. *სიღრმე კმ*

გრძივი (P) და განივი (S) სეისმური ტალღების სიჩქარის დამოკიდებულება დედამიწის სიღრმეზე.



ა. სეიფულინი.

სიურობის განსაზღვრისათვის. მიწისძვრის ინტენსიურობა სკალაში გამოიხატება ბალებით. არსებობს სხვადასხვაგვარი ს. ს., რ-ებშიც რხევის ინტენსიურობა შეფასებულია შენობების დაზიანების, გრუნტის ნარჩენი დეფორმაციის მასშტაბისა და გამოვლენის ფორმისა თუ მიწისძვრის სხვა გარეგანი ფაქტორების მიხედვით. სსრკ-ში ძირითადად იყენებენ სსრკ მეცნ. აკად. ო. შმიდტის სახ. დედამიწის ფიზ. ინ-ტის მიერ შემუშავებულ და საკავშირო სტანდარტით („გოსტ 6249-52") დამტკიცებულ 12-ბალიან ს. ს-ს. ამ სკალაში გარდა ჩამოთვლილი მაჩვენებლებისა, გათვალისწინებულია „ხმა" სეისმომეტრის ქანქარის მაჩვენებლებიც. იყენებენ აგრეთვე მედვედევ-შპონჰოიერ-კარნიკის 12-ბალიან სკალას (MSK-64). ევროპის ქვეყნებში ძირითადად იყენებენ მერკალი-ზიბერგ-კანკანის 12-ბალიან სკალას, აშშ-ში — მერკალის მოდიფიცირებულ 12-ბალიან სკალას, იაპონიაში — მეტეოროლ. ობსერვ. 7-ბალიან სკალას. *მაგნიტუდებით* მიწისძვრის შეფასების დროს გამოიყენება რიხტერის სკალა, რ-ის მიხედვით ზაქს. მაგნიტუდაა 9.

ვ. პაპალაშვილი.

სეისმური ტალღები, რხევები, რ-ებიც ვრცელდება დედამიწაში მიწისძვრის, აფეთქებებისა და რხევის სხვა წყაროების კერებიდან. ძლიერი მიწისძვრების კერების მახლობლად ს. ტ. დამანგრეველი ძალისაა, მათი პერიოდი იქ ძირითადად წმ მეათედი ნაწილების ტოლია. ეპიცენტრიდან მოშორებით ს. ტ. დრეკადი ტალღებია. განარჩევენ გრძივ და განივ ს. ტ-ს. (*P*) გრძივ ს. ტ-ში რხევა მიმდინარეობს ტალღის გავრცელების მიმართულებით, (*S*) განივ ს. ტ-ში კი ტალღის გავრცელების პერპენდიკულარულად (ნახ. 1). გრძივი და განივი ტალღების გავრცელების სიჩქარე ერთსა და იმავე გარემოში განსხვავებულია ($v_{გრძ}/v_{განივ} \approx 1{,}73$). *P* და *S* ტალღები წყაროდან ყველა მიმართულებით ვრცელდება, ამიტომ მათ მოცულობით ს. ტ-საც უწოდებენ. ს. ტ. სხვადასხვა დრეკადი თვისებების მქონე გარემოთა გამყოფ ზედაპირებზე გარდატყდება და აირეკლება — წარმოიქმნება გარდატეხილი და არეკვლილი ს. ტ. დედამიწის ზედაპირთან (აგრეთვე ორი გარემოს გამყოფ ზედაპირთან დედამიწის წიაღში) წარმოიქმნება *L* ზედაპირული ს. ტ. მათი ამპლიტუდა მეტია, ვიდრე გრძივი და განივი ს. ტ-ისა, გავრცელების სიჩქარე კი განივისაზე ნაკლებია.

სიღრმის ზრდასთან ერთად დედამიწის შემადგენელი ნივთიერების თვისებების ცვლილების გამო იცვლება ს. ტ-ის გავრცელების სიჩქარეც (ნახ. 2). მიწისძვრის კერებიდან სხვადასხვა მანძილზე მდებარე სეისმურ სადგურებამდე სხვადასხვა ტიპის ს. ტ-ის გარბენის დროის განსაზღვრით გამოითვლება მათი გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა სიღრმეზე, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ დედამიწის სიღრმული აგებულება.

ლიტ.: Бреховских Л. М., Волны в слоистых средах, 2 изд., М., 1973; Саваренский Е. Ф., Сейсмические волны, М., 1972; Сейсмические волновые поля в зонах разломов, М., 1978.

გ. ბურუსიძე.

სეიფერტი (Seifert) იაროსლავ (დ. 23. IX. 1901, პრაღა), ჩეხი პოეტი. ჩეხოსლ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1936, 1955). ჩეხ. პროლეტ. პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (კრებ. „ცრემლიანი ქალაქი", 1921). პოეტი უმღერის სიყვარულს, ბუნებას, სამშობლოს (კრებულები: „ბულბული ცუდად გალობს", 1926; „ვენერას ხელები" 1936 და სხვ.). მიუწყნების ტრაგედიამ გაამძაფრა პოეტის პატრ. გრძნობები (კრებ. „ჩააქრეთ ნათურები", 1938; „ბოჟენა ნემცოვას მარაო", 1940 და ს-ხვ.). ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ გამოაქვეყნა კრებულები „თიხის მუზარადი" (1945), „დედიკო" (1954), „კონცერტი კუნძულზე" (1965) და სხვ.

სეიფი (ინგლ. safe, სიტყვასიტყვით — უსაფრთხო, საიმედო), დოკუმენტების, ფულისა და მატერიალურ ფასეულობათა შესანახი ფოლადის (რკინის) ცეცხლგამძლე ყუთი ან კარადა; ბანკში: ჯავშნიანი სათავსო-საცავი, სადაც ასეთი ყუთები და კარადები დგას; მუზეუმში: ცეცხლგამძლე ოთახი ძვირფასი და უნიკალური ექსპონატების შესანახად.

სეიფულინა ლიდია ნიკოლოზის ასული [22. III (3. IV). 1889, დაბა ვერხნეუველსკი, ახლანდ. ჩელიაბინსკის ოლქი,— 25. IV. 1954, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი, ლიტ. სარბიელზე გამოვიდა 1917-იდან. საბჭ. რეალისტური პროზის ერთ-ერთი პიონერი [მოთხრობები „კანონის დამრღვევნი", 1922; „ნეშომპალა", 1922; „გლეხური თქმულება ლენინზე", 1924; „ვირინეა", 1924 (ამავე სახელწ. პიესა ვ. პრავდუხინის თანაავტორობით, 1925)]. მასვე ეკუთვნის მოთხრობები „საკუთრება" (1933), „ტანია" (1934), „თავის მიწაზე" (1946) და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

სეიფულინი საქენ (სადვაკას) (12. VI. 1894—1939), ყაზახი საბჭ. მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. სკკპ წევრი 1918-იდან. 1913—16 სწავლობდა ომსკის საოსტატო სემინარიაში. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1910-იდან. ეკუთვნის პიესა „წითელი შავარდნები" (1920), ლექსთა კრებულები „მოუთვინიერებელი ცხენი" (1922), „დომბრა" (1924), „ექსპრესი" (1926), „ცხოვრების ტალღებზე" (1928); პოემები „ალბატროსი" (1933), „დაშორებული გედები" (1925), „ქოქჩეთაუ" (1929) და სხვ.; აგრეთვე ნოველები, ისტ.-მემუარული რომანი „ძნელი გზა, მძიმე უღელტეხილი" (1927), ნაშრომები ყაზ. ლიტ-რის ისტორიაში. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

სეიშები [ფრანგ. seiche (მხ. რ.)], დიდი პერიოდის (რამდენიმე *წთ*-იდან ათეულ *სთ*-მდე) მქონე *მდგარი ტალღები*, რ-ებიც წარმოიქმნება მეტ-ნაკლებად დახშულ წყალსატევეებში (ზღვა, ტბა, ყურე და სხვ.). ს. გარეშე ძალების (ატმ. წნევის მკვეთრი ცვლილება, ქარი, სეისმური მოვლენები და სხვ.) გავლენით წარმოქმნილი ტალღებისა და აუზის ნაპირებიდან არეკვლილი ტალღების ინტერფერენციის შედეგია. ს-ის ამპლიტუდა რამდენიმე *მმ*-დან რამდენიმე *მ*-მდეა. ს-ის დროს რხევით მოძრაობაში ჩართულია წყლის მთელი მასა, მაგრამ არსებობს ერთი ან რამდენიმე ხაზი, ე. წ. საკვანძო ხაზი (ნახ. 1 და 2, წერტილები ა და ა'), სადაც წყლის დონე არ იცვლება. განარჩევენ ერთ- (ნახ. 1), ორ- (ნახ. 2) და მრავალკვანძიან ს-ს.

სეიშელის კუნძულები (Seychelles), სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა (Republic of Seychelles), სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულებზე ინდოეთის ოკეანეში, აფრ. აღმ. სანაპიროსთან. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 405 *კმ*². მოსახლ. დაახლ. 80 ათ. კაცი (1981). ცხოვრობენ კრეოლები, აფრიკელები (ბანტუ), ევროპელები, ინდოელები, ჩინელები და სხვ. მოსახლ. 90% კათოლიკეა, 10% — პროტესტანტი. დედაქალაქი — ვიქტორია (23 ათ. მცხ., 1982). ოფიც. ენები — კრეოლური, ინგლ. და ფრანგული. ეროვნ. დღესასწაულია 5 ივნ. — განთავისუფლების დღე (1977). ფულის ერთეულია სეიშელის რუპია. 1 სეიშელის რუპია=0,15 აშშ-ის დოლარს (1982).

ს. კ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1979 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპალატიან სახალხო კრებას. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. იგი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიცაა.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

არქიპელაგი შედგება 92 კუნძულისაგან, რ-თაგან 46 დასახლებულია. უდიდესი კუნძულია მაე. ს. კ. მდებარეობს გრანიტებითა და სიენიტებით აგებულ წყალქვეშა მაღლობებზე, წვრილი კ-ები ნაწილობრივ მარჯნისაა. სიმაღლე 915 *მ*-მდე (კ. მაე). ჰავა სუბეკვატორულია, ზღვისა. საშ. თვიური ტემპ-რები 26—28°C. ნალექები 4000 *მმ*-მდე წელიწადში. შიგა რ-ნებში შემორჩენილია მარადმწვანე ტროპ. ტყე, სადაც ბევრია ენდემები (მ. შ. *სეიშელის პალმა*). ენდემურია გიგანტური კუ, ფრინველები (კ. კუზენი — ფრინველთა ნაკრძალი ინდ. ოკეანეში).

ს. კ. აღმოაჩინეს პორტუგ. ზღვაოსნებმა XVI ს. დასაწყისში. XVIII ს. შუახანებში ფრანგებმა ს. კ. თავის კოლონიად აქციეს, XVIII ს. დასასრულს მიიტაცეს ინგლისელებმა, 1810 ბრიტ. სამფლობელოდ გამოცხადდა, 1814 ბრიტ. სამფლობელოს მავრიკის შეუერთდა. 80—90-იან წლებში შეიქმნა ხელისუფლების ადგილ. ორგანოები (აღმასრ. და საკანონმდებლო საბჭოები). 1903-იდან — დიდი ბრიტ. სამეფო კოლონია. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ, განსაკუთრებით 60—70-იან წლებში დაიწყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობა (გაფიცვები 1966, 1972 და სხვ.). 60-


სქემატური სეისმური სკალა







ბალი	მიწისძვრის სახელწოდება	მოკლე დახასიათება
1	შეუმჩნეველი	აღინიშნება მხოლოდ სეისმური ხელსაწყოებით
2	ძალიან სუსტი	შეიგრძნობა ცალკეული ადამიანების მიერ, რ-ებიც სიმშვიდის მდგომარეობაში იმყოფებიან
3	სუსტი	შეიგრძნობა მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილის მიერ
4	ზომიერი	შეიმჩნევა ცალკეული საგნების, ფანჯრის მინების, ჭურჭლის ხანზარითა და რყევით, კარისა და კედლების ჭრაჭუნით
5	საკმაოდ ძლიერი	შენობა მთლიანად ირყევა, ირყევა ავეჯიც. კედლებსა და ფანჯრის მინებში ჩნდება ბზარები. მძინარენი იღვიძებენ
6	ძლიერი	შეიგრძნობა ყველას მიერ. კედლიდან ცვივა სურათები, ბათქაშის ნატეხები, შენობები სუსტად ზიანდება
7	მეტად ძლიერი	ქვის სახლის კედლებში ჩნდება ბზარები. ანტისეისმური და ხის შენობები უფნებელი რჩება
8	დამანგრეველი	ცისაბო კალთებზე და ნოტიო ნიადაგში ჩნდება ნაპრალები. ძეგლები გადაადგილდება ან ჭირავდება. სახლები ძლიერ ზიანდება
9	გამაჩანაგებელი	ქვის სახლები ძლიერ ზიანდება ან ინგრევა
10	გამანადგურებელი	ნიადაგში ჩნდება დიდი ნაპრალები. მეწყრები და ჩამონაზვავები. ქვის შენობები ინგრევა. რკინიგზის ლიანდაგი მრუდდება
11	კატასტროფული	მიწის ზედაპირზე წნდება ფართო ნაპრალები. მრავალრიცხოვანი მეწყრები და ჩამონაზვავები. ქვის სახლები მთლიანად ინგრევა
12	ძლიერ კატასტროფული	ცვლილებები დედამიწის ზედაპირზე აღწევს უდიდეს მასშტაბს. მრავალრიცხოვანი ჩამონაზვავები, მეწყრები. წარმოიქმნება ჩანჩქერები, ნაგუბარი ტბები. მდინარეები იცვლის კალაპოტს. არც ერთი შენობა არ რჩება დაუნგრეველი

იან წლებში შეიქმნა პოლიტ. პარტიები: ხალხის გაერთ. პარტია (ხგპ) და დემოკრ. პარტია (დპ). 1970 ს. კ-ს შინაგანი ავტონომია მიიანიჭეს. 1976 წ. 28 ივნ. გამოცხადდა სეიშელის რესპ. დამოუკიდებლობა. 1977 წ. 4—5 ივნ. ს. კ-ზე მოხდა სახელმწ. გადატრიალება, პრეზიდენტი გადააყენეს. სახელმწიფოს მეთაური გახდა ხგპ-ის თავ-რე ალბერ რენე. 1978 მაისს-ივნ-ში ხგპ-ის ბაზაზე შეიქმნა ს. კ-ის ხალხის პროგრ. ფრონტი (სკხპფ) — მმართველი და ერთადერთი პარტია ქვეყანაში. 1981 ივლ. სკხპფ-ის ყრილობამ კვლავ დაადასტურა პარტიის ორიენტაცია სოციალ. გზით ს. კ-ის განვითარებისა. საგარეო პოლიტიკაში ს. კ-ის მთავრობა განაგრძობს პოზიტიური ნეიტრალიტეტის კურსის გატარებას, მხარს უჭერს უცხოეთის სამხ. ბაზების ლიკვიდაციას ინდ. ოკეანეში და მშვიდობის ზონად მის გადაქცევას.

ს. კ-ის ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ. და ტურიზმი. არის ქოქოსის პალმის, თამბაქოს, სანელებლების, ეთერზეთოვანი მცენარეების პლანტაციები. მისდევენ მესაქონლეობასა და თევზჭერას (დაახლ. 6 ათ. ტ წელიწადში). მრეწვ. სუსტადაა განვითარებული. არის ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ავეჯის საწარმოები, ამზადებენ ნავებს. 1982 ექსპორტმა შეადგინა 85,1 მლნ. სეიშელის რუპია, იმპორტმა 641,3 მლნ. გააქვთ კოპრი, გაყინული თევზი, დარიჩინი, ვანილი და სხვ., შეაქვთ სურსათი, ნავთობპროდუქტები და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: პაკისტანი, ინდოეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, გფრ, იაპონია. 1983 ს. კ-ზე იმოგზაურა 55,8 ათასმა უცხოელმა ტურისტმა.

1977-მდე მოსახლ. 80%-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1979-იდან ს. კ-ზე დაიწყო სახ. განათლების განვითარების 5-წლიანი გეგმის განხორციელება: 9-წლიანი სწავლება, საშ. და ტექ. სასწ. დაწესებულებათა ქსელის განვითარება. ს. კ-ზე გამოდის რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი. ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო დაარსდა 1979. რადიომაუწყებლობა მუშაობს 1941-იდან. სატელევიზიო ეროვნ. სამსახური დაარსდა 1983.


სეიშელის კუნძულები
50°
ვიქტორია
პრასლენი
კ. სენტ-ანი
კ. მაჰე
კ. სილუეტი
კ. კოეტივი
კ. ფრეგეტი
კ. ანონი
კ. სენტ-სიმონი
კ. სენტ-ანი
კ. სენტ-სიმონი
კ. ფრეგატი
კ. ბერდი
კ. ალფონსი
კ. ბიჯუ
კ. ფარკუარი
კ. ალფონსი
კ. ფარკუარი
კ. ალფონსი
კ. ბიჯუ


სეკრეცია. სეკრეციის ფაზა. სეკრეტის გამოყოფის გზა ან სეკრეციის ტიპების სქემა: 1—ჯირკვლოვანი უჯრედი ფუნქციონალური სეენების მეგობარობაში; 2—აგზნებული უჯრედი (ისრებით—წყლის გაძლიერებული შეღწევა ჯირკვლოვან უჯრედში, რაც განაპირობებს მის გაჯირჯვებას და სეკრეტის გამოყოფას); 3 — მეროკრინული სეკრეცია; 4—მიკროაპოკრინული სეკრეცია; 5, 6—აპოკრინული სეკრეცია; 7—ჰოლოკრინული სეკრეცია.

რი. სატრანსპ. მანქანათსაშ., ხის დასამუშ., ცემენტის, კვების მრეწვ. საწარმოები. თეეზჭერა.

სეკრეტი (ლათ. secretus — გამოყოფილი, გამონაყოფი), ცხოველის ან ადამიანის ჯირკვლის პროდუქტი. თუ ეს პროდუქტი გამოიყოფა სხეულში (ღრუ ორგანოებში) ან კანის ზედაპირზე, მას ჰქვია ს., ხოლო თუ ჯირკვლიდან გადადის სისხლში ან ლიმფაში, — ი ნ კ რ ე ტ ი ანუ ჰორმონი და თუ პროდუქტი ქსოვილთა ცხოველმყოფელობისათვის გამოუყენებელი ნივთიერებაა — ე ქ ს კ რ ე ტ ი. ტიპური ს-ია ნერწყვი, კუჭის წვენი, საერთოდ საჭმლის მომნელებელი წვენები, ინკრეტია ორგანიზმის ფუნქციების მარეგულირებელი ადრენალინი, ინსულინი და სხვ., ხოლო ტიპური ექსკრეტია შარდი.

ს-ს შეიძლება განეკუთვნოს აგრეთვე *ფერომონები*, რ-იც მარეგულირებელ ან სექსუალურ-ატრაქტიულ გავლენას ახდენენ ამავე ან სხვა სახეობის ცხოველზე. ს-ში შემავალ ნივთიერებათა უმეტესობა ეკუთვნის ცილებს, პოლისაქარიდებს, გლიკოპროტეიდებს და სხვ. *ა. ბაკურაძე.*

სეკრეტინი, ჰორმონული ხასიათის ნივთიერება (ე. წ. ქსოვილური ჰორმონი), რ-საც გამოიმუშავებს წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ზედა ნაწილი; ს. მონაწილეობს კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეტორული მოქმედების რეგულაციაში. ს. 27 ამინმჟავას ნაშთისაგან შემდგარი *პეპტიდია*. იგი გამოიყოფა ძირითადად კუჭის წვენის მარილმჟავას გაელენით, რ-იც თორმეტგოჯა ნაწლავში ხვდება საკვების ფაფასთან (ქიმუსთან) ერთად, შეიწოვება სისხლში, აღწევს კუჭქვეშა ჯირკვლამდე, რ-შიც აძლიერებს წყლისა და ელექტროლიტების (უმთავრესად ბიკარბონატების) სეკრეციას. ს-ის ბიოლ. განსაზღვრა დამყარებულია მის უნარზე გაზარდოს ტუტის რაოდენობა კუჭქვეშა ჯირკვლის წვენში. ს. მიღებულია სინთეზური გზითაც.

სეკრეცია (ლათ. secretio — გამოყოფა), სპეციალიზებული ჯირკვლების მიერ განსაკუთრებული პროდუქტის — *სეკრეტის* გამომუშავება და გამოყოფა. არჩევენ გარეგან და შინაგან ს-ს. თუ სეკრეტი გამოიყოფა სხეულის ზედაპირზე ან ღრუ ორგანოში სადინარებით, ამ პროცესს გ ა რ ე გ ა ნ ი ს., ეგზოსეკრეცია ანუ ეგზოკრინული ს. ეწოდება, ხოლო თუ სეკრეტი პირდაპირ გადადის სისხლსა და ლიმფაში, მაშინ — შ ი ნ ა გ ა ნ ი ანუ ენდოკრინული ს. ჰქვია. თითოეული ჯირკვლის სეკრეტორულ ციკლში განარჩევენ ორ ფაზას სეკრეტის პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს ა (ბიოსინთეზი) და გ ა მ ო ყ ო ფ ი ს ფაზებს. ზოგ ჯირკვალში ეს ფაზები ერთდროულად, სხვებში კი სხვადასხვა დროს მიმდინარეობს. პროდუქციის ფაზაში პროდუქტი უჯრედის სხვადასხვა ორგანოიდში მწიფდება, ერთიდან მეორეში თანამიმდევრობით გადადის და საბოლოოდ მარცვლების — გრანულების სახით გროვდება უჯრედის აპიკალურ ნაწილში, რათა საჭიროებისას უჯრედიდან გარეთ გამოიყოს. ცხადია, სეკრეტის პროდუქციისათვის საჭიროა საწყისი მასალა (მონოსაქარიდები, ცხიმოკანი მჟავები, ამინმჟავები, მარილები), რ-საც ჯირკვალი ღებულობს სისხლიდან, ქსოვილური სითხიდან. თვით სეკრეტის წარმოქმნა—ბიოსინთეზი (განსაკუთრებით ცილებისა) იწყება ენდოპლაზმურ ბადეში, სადაც ამინომჟავები იმ თანამიმდევრობით უერთდებიან ერთმანეთს, რ-საც განსაზღვრავს რიბოსომების *რიბონუკლეინის მჟავა* (რნმ). საწყისი პროდუქტი ჯერ გროვდება ენდოპლაზმური ბადის ნაპრალებში, ლაკუნებში, ხოლო იქიდან გადაადგილდება *გოლჯის კომპლექსში*, სადაც მთავრდება მისი მომწიფება; ზოგჯერ ამ კომპლექსში ცილები უერთდება ნახშირწყლებს და წარმოიშობა გლიკოპროტეიდი. უჯრედის *მიტოქონდრიები* იძლევა ენერგიას, რ-იც საჭიროა როგორც სეკრეტის სინთეზისათვის, ისე მისი გამოყოფისათვის. მიტოქონდრიებზეც ხდება ლიპიდური (სტეროიდული) ბუნების სეკრეტების სინთეზი. დამზადებული სეკრეტის გამოყოფა ჯირკლოვანი უჯრედიდან საკმაოდ რთულია და სხვადასხვა ჯირკვალში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. ამის შესაბამისად განარჩევენ მორფოსტატიკურ და მორფოკინეტიკურ (მორფონეიროზულ) გამოყოფას. პირველ შემთხვევაში გამოყოფის პროცესში უჯრედის სტრუქტურა არ იცვლება, უჯრედი არ იშლება. მეორე შემთხვევაში უჯრედი ან ნაწილობრივ ირღვევა, ან მთლიანად. პირველ შემთხვევაში სეკრეტის გამოყოფისას ჯერ მატულობს ჟანგბადის მოხმარება, შემდეგ უჯრედშიდა ოსმოსური წნევა და წყალი უჯრედში აღწევს — იქმნება წყლის ნაკადი, რ-იც უჯრედის ფუძიდან იწყება და გაივლის უჯრედს მის ზედაპირულ—აპიკალურ მემბრანამდე. წყლის ნაკადს გამოაქვს სინთეზირებული სეკრეტი ხსნარის სახით, რ-იც აპიკალური მემბრანის გზით — დიფუზიით ან წვეთების სახით გამოდის გარეთ; ეს წვეთები მემბრანის ფორებით გამოდიან. სეკრეტის გამოყოფის ამ გზას მ ე რ ო კ რ ი ნ უ ლ ი გზა ეწოდება. ასე ხდება ნერწყვის, კუჭისა და პანკრეასის წვენის გამოყოფა. თუ სეკრეტი წყალში არ იხსნება ან სხვა რაიმე მიზეზით ვერ გადადის მემბრანის ფორებში, მაშინ წყლის უხვად შესვლის გამო გაფუებული უჯრედის აპიკალური ნაწილი (მწვერვალი) იქ დაგროვილ სეკრეტის გრანულებთან ან წვეთებთან ერთად ქინძისთავისებურად ამოიბურცება, შემდეგ კი ან სკდება, ან უჯრედს მოწყდება. სეკრეტის გამოყოფის ამ გზას ა პ ო კ რ ი ნ უ ლ ი გზა ეწოდება. ზოგჯერ ასეთი ს-ის დროს მხოლოდ უჯრედის მიკროხაოები წყდება. დაბოლოს, ზოგჯერ სეკრეციული უჯრედი მთლიანად გადაგვარდება და გადაიქცევა სეკრეტის წვეთად, რ-შიც მოთავსებულია უჯრედის ნამსხვრევები. ასეთი შიგთავსი გამოიდევნება თავისი ეპითელიუმური ბუდიდან (ჰ ო ლ ო კ რ ი ნ უ ლ ი ს.). ს-ის ეს ტიპი პრიმიტიულია და ეკონომ. პროცესში შეიცვალა უფრო ეფექტური მეროკრინული ტიპის ს-ით.

სეკრეციული პროცესების რეგულირება ხდება ნერვული და ჰუმორული ფაქტორებით. ნერვულ ბოჭკოებს, რ-ებიც ჯირკვლებზე ბოლოვდებიან და ჯირკვლიდან სეკრეტის გამოყოფას იწვევენ, უწოდებენ სეკრეტორულ ნერვებს, ხოლო იმ ნერვულ ბოჭკოებს, რ-ებიც არეგულირებენ სეკრეტის პროდუქციას — ტროფიკულს. მაგრამ მკვეთრი ზღვარი მათ შორის არ არსებობს, რადგან ისინი ჩვეულებრივ ორივენაირ ეფექტს იძლევიან. ნერვების როლი სანერწყვე ჯირკვლებისათვის ძალიან დიდია, მაგრამ კუჭისა და პანკრეასის ჯირკვლებისათვის მათი მნიშვნელობა მცირდება. განსაკუთრებით ეხება ეს პანკრეასს, სადაც დიდ მნიშვნელობას იძენს ჰუმორულ-ჰორმონული მექანიზმები. ჯირკვლოვანი უჯრედის აგზნებას საფუძვლად უდევს ამ უჯრედის ზედაპირულ მემბრანაზე მოთავსებული ფერმენტის — ადენილციკლაზის აქტივაცია, რ-იც წარმოშობს ციკლურ ადენოზინმონოფოსფატს. ეს უკანასკნელი კი არეგულირებს უჯრედშიგა რეაქციების ჯაჭვს, რ-საც მივყავართ იმ სპეციფ. ფერმენტების აქტივობის გაზრდასთან, რ-ებიც განაპირობებენ ს-ის პროცესს.

სეკრეციული ფუნქციის უნარი აქვთ აგრეთვე ნერვულ უჯრედებს, რ-ებიც გამოიმუშავებენ *მედიატორებს*. ზოგიერთ ნერვულ უჯრედს ფიზიოლ. აქტ. ნივთიერებების — ნეიროჰორმონების პროდუქციის დიდი უნარი (იხ. *ნეიროსეკრეცია*) აქვს. *ა. ბაკურაძე.*

სეკრეცია, მომრგვალო ფორმის მინერალური აგრეგატი, რ-იც წარმოიქმნება კრისტალური ან კოლოიდური ნივთიერებით ქანებში არსებული სიცრუეების ამოვსებით. ს-თვის დამახასიათებელია მინერალ. ნივთიერების კონცენტრულ-შრეებრივი დალექვა სიცრუის კედლიდან ცენტრისაკენ. ცალკეული შრეები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფერითა და შედგენილობით.

სეკულარიზაცია (ფრანგ. sécularisation < გვიანდ. ლათ. saecularis — საერო), 1. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის ქონების (უმთავრესად მიწის) ჩამორთმევა. ფართო ს. მოხდა ფრანკთა სახელმწიფოში VIII ს. I ნახევარში *კარლოს მარტელმა* ჩამორთმეული საეკლ. მიწები ბენეფიციუმების სახით დაურიგა სამხ. მსახურეულ არისტოკრატიას. ბიზანტიაში ხშირად მიმართავდნენ ს-ის პოლიტიკას, განსაკუთრებით გახშირდა ს. XVI ს-ში *რეფორმაციასთან* დაკავშირებით. ნიდერლანდის ბურჟ. რევ. დროს ჩამორთმეული საეკლ. მიწები ძირითადად ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. ინგლისშიც რეფორმაციას მოჰყვა სამონასტრო ქონების ს. (1536—39); სამეფო ხელისუფლებამ ჩამორთმეული მიწები ბურჟუაზიასა და *ჯენტრის* დაურიგა. ს. XVIII ს. II ნახ. განათლებული აბსოლუტიზმის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. ეკლესიის ფეოდ. საკუთრებას მძიმე ლახვარი ჩასცა საფრ. დიდმა რევოლუციამ. 1789 წ. 2 ნოემბ. დეკრეტით საეკლ.-სამონასტრო მიწები ნაციონალიზებულ იქნა და შემდგომში ბურჟ. ხელში მოექცა. 1901, 1904, 1905 დეკრეტებით საფრანგეთში გააუქმეს XIX ს-ში კვლავ წარმოქმნილი რელიგ. ორდენები და კონგრეგაციები, საეკლ. ქონება სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ს. ხელს უწყობდა კაპიტალიზმისა და ბურჟ. სახელმწიფოს განვითარებას და მთლიანად პროგრ. მოვლენას წარმოადგენდა.

ს. რ უ ს ე თ შ ი. რუსეთში 1503 საეკლ. კრებაზე პირველად დაისვა საკითხი ს-ის შესახებ, მაგრამ ვერ განხორციელდა. შემდგომში მთელი რიგი კანონებით ცდილობდნენ საეკლ. ქონების შეზღუდვას. პეტრე I-ის მთავრობამ XVIII ს-ის დასაწყისში გაატარა დროებითი და ნაწილობრივი ს. ეკატერინე II-მ 1764 მოახდინა ს. 1786 უკრ. ტერიტორიაზე გატარდა ს. 1841 — 43 ს. გაატარეს რუს. იმპერიის დას. გუბერნიებშიც, მაგრამ საბოლოო და სრული ს-ის გატარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი ოქტ. რევ. შემდეგ. 1917 დეკრეტით მიწის შესახებ მოხდა მთელი საეკლ. და სამონასტრო მიწების კონფისკაცია. 1918 წ. 20 იანვ. (2 თებ.) დეკრეტით ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, მის მფლობელობაში დარჩა მხოლოდ სატაძრო ნაგებობა ღვთისმსახურების ჩასატარებლად. 2. დას. ევროპაში—ეკლესიის ნებართვით სასულიერო პირის გადასვლა ერისკაცობაში.

3. ს-ს უწოდებენ აგრეთვე კულტურის, ინდივიდუალური შეგნების, მეცნიერების განთავისუფლებას ეკლესიის მეურვეობის, გაელენის, რელიგ. მსოფლმხედველობისაგან.

სეკუნდა (ლათ. secunda — მეორე) მ უ ს ი კ ა შ ი, ერთ-ერთი *ინტერვალი*, აგრეთვე *საფეხური*.

სეკუნდაკორდი (მუს.), *სეპტაკორდის* ერთ-ერთი შებრუნება.

სეკუნდი, ბრტყელი კუთხეების საზომი ერთეული, რ-იც ტოლია *გრადუსის* 1/3600 ან *მინუტის* 1/60 და აღინიშნება '' სიმბოლოთი.

სელაგინელა (Selaginella), მცენარის გვარი ლიკოპოდიუმისნაირთა განყოფილებისა. ხავსის მსგავსი მცენარეებია, გვხვდება აგრეთვე მცოცავი, ხვიარა და კორდოვანი ფორმებიც. ზოგიერთი ს-ის სიმაღლე 5—10 *სმ*-ია, ზოგისა 2—3 *მ*, ხვიარა ტროპ. სახეობებისა კი 18—20 *მ* აღწევს. უვითარდებათ ორნაირი სპორანგიუმი: 4-მაკროსპორიანი მაკროსპორანგიუმი და მრავალმიკროსპორიანი მიკროსპორანგიუმი. ახასიათებს თაობათა მორიგეობა დომინანტური სპოროფიტით. შეი-

ცავს ტროპიკებში გავრცელებულ 700-მდე სახეობას. სსრკ-ში გვხვდება 8 სახეობა, საქართველოში — 2. S. selaginoides და S. helvetica; ორივე სახეობა იზრდება ტენიან ადგილებში, ტყის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე. *ი. მიქელაძე.*

სელაია (Celaya), ქალაქი ცენტრ. მექსიკაში, გუანახუატოს შტატში. 119 ათ. მკხ. (1979). მნიშვნელოვანი სატრანსპ. ცენტრი მდ. ლერმის აუზში. ელ-ბანიოს სას.-სამ. რ-ნის (მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ზეთოვნები) პროდუქციის გადამუშავება. ქიმ. მრეწველობა.

სელამი, ქალაქი სამხრ. ინდოეთში, ტამილნადის შტატში. 515 ათ. მკხ. (1981). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. საფეიქრო, ქიმ. მრეწვ., ალუმინის წარმოება, ლითონდამუშავება. ს-ის მახლობლად ამუშავებენ მაგნეზიტს.

სელაპები, ფარფლფეხიანების რიგის ძუძუმწოვრების 2 ოჯახის — ნამდვილი და ყურებიანი ს-ის საერთო სახელწოდება. ნამდვილ ს-ს (Phocidae) ყურის ნიჟარები არ გააჩნიათ, მათი ორივე წყვილი კიდური გარდაქმნილია ფარფლებად და ბრჭყალებით ბოლოვდება. უკანა ფარფლები უკნისკენაა მიმართული და წყალში სამოძრაო აპარატს წარმოადგენს. აერთიანებს 12 გვარის 20-მდე სახეობას. ფართოდ არიან გავრცელებული; განსაკუთრებით ბევრია პოლარული წრის განედებში. სსრკ წყლებში 6 გვარის 9 სახეობაა, რ-თაგანაც სარეწაო მნიშვნელობა აქვს გრენლანდიურ ს-ს, კასპიურ ს-ს, რგოლოვან ს-ს, ლარგას და *ზღვის კურდღელს.* ყურებიან ს-ს (Otariidae) ყურის პატარა ნიჟარები აქვთ, მათი წინა ფარფლები მოკლებულია ბრჭყალებს, უკანა ფარფლები წინისაკენ მოიკეცება და, ისე როგორც წინა ფარფლები, წარმოადგენს სხეულის საყრდენს ხმელეთზე მოძრაობისას. გავრცელებული არიან ორივე ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში: ჩრდ. ნახევარსფეროში მხოლოდ წყნარ ოკეანეში, სამხრეთში — ყველა ოკეანეში, მათ განეკუთვნება *ზღვის ლომები* (5 გვარი 5 სახეობით) და ზღვის კატები (2 გვარის 6 ან 9 სახეობა). სსრკ წყლებში გვხვდება 2 სახეობა: *ზღვის ძაღლი* და *ზღვის კატა.* რეწვის ობიექტებია (განსაკუთრებით ფასობს ზღვის კატის ბეწვი).

სელები, ძვ. ბალტიური ტომობრივი კავშირი. XIII ს-ში ს. დასახლებული იყვნენ მდ. დაუგავის მარცხ. ნაპირზე, ახლანდ. ლატვ. სსრ-ის სამხრეთში და ნაწილობრივ ახლანდ. ლიტვ. სსრ ჩრდ.-აღმ-ში. ს-ის პოლიტ. და სამხრ. ცენტრი იყო გამაგრებული ქალაქი სელპილსი (ახ. წ. VI ს-იდან) ს. ებრძოდნენ გერმ. ჯვაროსნებს, მაგრამ 1208 მათი ბატონობის ქვეშ მოექცნენ. მოგვიანებით ლატვ. ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ.

სელევკე I ნიკატორი (ბერძნ. Sêleukos Nikatôr — „ძლევამოსილი") (დაახლ. ძვ. წ. 358—281/280), სელევკიდების სახელმწიფოსა და დინასტიის დამაარსებელი, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 326 ინდოეთში ლაშქრობის დროს. ალექსანდრეს სიკვდილის (323) შემდეგ, დიადოქოსთა შორის ს. I 6. იყო ერთ-ერთი აქტ. მაძიებელი უმაღლესი მბრძანებლობისა, 321 პერდიკასგან (ტახტის რეგენტი) მიიღო სატრაპია ბაბილონეთი. 312 აქედ გამაყრდა და თავი დამოუკიდებელ მმართველად (სელევკიდური ერის დასაწყისი) გამოაცხადა. შემოიერთა სხვა პროვინციები: მიდია, სუსიანე, პერსიდა, ბაქტრია და 305 თავი მეფედ გამოაცხადა. ამავე წელს წარმატებით ილაშქრა ინდოეთში. დაუზავდა აქაურ მეფეს, ჩანდრაგუპტას; დაუთმო მას მდ. ინდის დას-ით მიწები და სამაგიეროდ მიიღო 500 საბრძოლო სპილო. იფსოსის ბრძოლის (301) შემდეგ დიადოქოსებს შორის მიწების განაწილების შედეგად მესოპოტამია და სირია მიიღო. 281 დაამარცხა ლისიმაქე და თითქმის მთელი მცირე აზია დაიპყრო. ეწეოდა დიდ საქალაქო აღმშენებლობას. სამოცდაათამდე ქალაქი დააარსა. ცდილობდა ბალკანეთის, განსაკუთრებით, მაკედონიისა და თრაკიის დაპყრობას. ამ მიზნით 280 ჯარებით გადალახა ჰელესპონტი, მაგრამ ლისიმაქეის ახლოს პტოლემე კერაუნუსმა მოკლა.

წყარო: Аппиан, Сирийские дела, «Вестник древней истории», 1946, № 4.

ლიტ.: Дройзен И. Г., История эллинизма, т. 2, М., 1893. *ლ. სანიკიძე.*

სელევკია (Seleúkeia), ძვ. ქალაქების სახელი; 1. ქალაქი სირიაში პიერიის მთასთან, მდ. ორონტესის შესართავთან. ძვ. წ. 300 დააარსა სელევკე I ნიკატორმა როგორც სატახტო ქ. ანტიოქიის მთავარი საზღვაო პორტი და სელევკიდების საძვალე. 245—219 ეგვ. პტოლემეებმა ს. წაართვეს სელევკიდებს. ძვ. წ. 64 რომაელებმა დაიპყრეს და დიდ საზღვაო-სავაჭრო პორტად აქციეს. V ს-იდან ქალაქმა დაცემა დაიწყო, VI—VII სს-ში ხან სპარსელებს ეკავათ, ხან არაბებს, 526 დაინგრა მიწისძვრისაგან. 2. ქალაქი მდ. ტიგრის მარჯვ. ნაპირზე. ძვ. ქალაქის ოპისის ადგილას, ბაბილონიდან ჩრდ.-აღმ-ით 60 *კმ*-ზე. სელევკიდური სახელმწიფოს პირველი სატახტო ქალაქი ძვ. წ. 312 დააარსა სელევკე I ნიკატორმა, ძვ. წ. II ს. 20-იანი წლებიდან პართიის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. ქალაქს ფრთებგაშლილი არწივის ფორმა ჰქონდა. გამაგრებული იყო ძლიერი კედლებით და ციხესიმაგრეებით. ახ. წ. I ს-ში 600 ათ. მცხოვრებს ითვლიდა. 164 ან 165 ს. დაანგრია რომაელმა ლეგატმა ავიდიუს კასიუსმა. *ლ. სანიკიძე.*


სელევკიდები, სელევკიდების სახელმწიფოს მმართველი დინასტია ძვ. წ. 312 — ძვ. წ. 64. დამფუძნებელია *სელევკე I* ნიკატორი.

სელევკიდების სახელმწიფო, სელევკიდების სირიის სამეფო (ძვ. წ. 312—ძვ. წ. 64), ელინისტური სახელმწიფო დას. აზიაში, წარმოიქმნა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს ნანგრევებზე. სახელი ეწოდა დამაარსებლის — სელევკე I ნიკატორისა და მისი შთამომავლების — სელევკიდების მიხედვით. ტერიტორიულად მოიცავდა სირიას, მესოპოტამიას, მცირე აზიის ნაწილს, ირანის ზეგანს, შუა აზიის ნაწილს. სატახტო ქალაქები — ტიგრის სელევკია (300-მდე) და ანტიოქია. სახელმწ. ენა ბერძნული. ს. ს. იყო სხვადასხვა ენის, ზნე-ჩვეულებათა და ეკონ. დონის ხალხთაგან (ბერძნები, მაკედონელები, ებრაელები, არამეელები, მიდიელები, სპარსელები, პართელები და სხვ.) იარაღის ძალით შეკოწიწებული პოლიტ. კონგლომერატი. სელევკიდთა საყრდენი სოც. ბაზა იყო ბერძნ.-მაკედონური შინათმფლობელური არისტოკრატია. ეკონ. ცხოვრება ემყარებოდა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს; მოჰყავდათ ხორბალი, ამენებდნენ ზეთისხილს, მისდევდნენ მევენახეობასა და მესაქონლეობას. სელევკიდთა ხელში იყო ძველთაგანვე განთქმული სავაჭრო-სატრანზიტო გზები, რ-ებიც ერთმანეთთან აკავშირებდა სირიას, მცირე აზიას, არაბეთს, ინდოეთს, ჩინეთს, შუა აზიასა და სპარსეთის ყურეს. წამყვან ეკონ., პოლიტ., სტრატეგიულ და კულტ. როლს თამაშობდნენ ქ-ები, რ-თაგან განსაკუთრებით დაწინაურდნენ ანტიოქია, ლაოდიკეა, პიერიის სელევკია. ელინისტურ ქ-ებს ჰქონდათ დამოუკიდებელი კანონმდებლობა, საკუთარი მმართველობითი ორგანოები (სახ. კრება, არჩევითი საბჭო), ფინანსები და სხვ. მათ გარშემო ჩამოყალიბებული იყო სამხ.-მიწათმფლობელური დასახლებანი — კატეკიები. მათზე დაყრდნობით ახდენდნენ სელევკიდები ქვეყნის ელინიზაციასა და თავიანთი უმაღლესი მონარქიული ხელისუფლების გავრცელება-დამკვიდრებას, მეფე — შეუზღუდველი, ღმერთად გამოცხადებული გვირგვინოსანი — სახელმწიფოს განაგებდა რთული ბიუროკრ. აპარატის მეშვეობით. ქვეყანა დაყოფილი იყო სატრაპიებად. სატრაპიებს სათავეში ედგნენ სტრატეგოსები, რ-თაც ევალებოდათ ხარკის (ფულით და ნატურით) აკრეფა და ჯარების გამოყვანა. ს. ს-ს სისუსტე გამომჟღავნდა დასაწყისშივე, როცა მისი ბატონობისაგან თავი იხსნეს პერგამონმა, კაპადოკიამ, ბითინიამ და პონტომ. ძვ. წ. III ს. შუა წლებში ს. ს-მ დაკარგა აღმ. პროვინციები, სადაც ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა ბერძნ.-ბაქტრიული და პართიისა. ს. ს-ს ხანგრძლივი ომები ჰქონდა პტოლემეების ეგვიპტესთან (სირიის ომები) და მძიმე სისხლის ფასად დაინარჩუნა ფინიკია და პალესტინა. ს. ს. აღმავლობას განიცდიდა ანტიოქე III-ის მეფობის დროს (223 — 187). ანტიოქე III-მ დაამარცხა პართელები და აღადგინა სელევკიდთა ძალაუფლება აღმ-ში, მაგრამ 190 მაგნესიასთან რომაელთაგან განცდილი სასტიკი მარცხის შემდგომ ს. ს. სამუდამოდ დაეცა და დაკნინდა. არც ეგვიპტესთან ორ გამარჯვებას (170 და 168) მოჰყოლია შედეგი. 163-იდან 64-მდე 19 მეფე გამოიცვალა, ხოლო ამდენივე შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ძვ. წ. 64 სირია რომის პროვინციად გამოცხადდა. სელევკიდთაგან ანტიოქე I სოტერი (280—261) „მეგობრობდა" ქართველ მეფე ფარნავაზთან.

ლიტ.: სანიკიძე ლ., რომის გვიან. დელი რესპუბლიკა, თბ., 1970; Дройзен И. Г., История эллинизма, т. 1—2, М., 1893; Ранович А. Б., Эллинизм и его историческая роль, М.—Л., 1950.

ლ. სანიკიძე.

სელეთითენგიზი, გაუდინარი მწარე-მლაშე ტბა ყაზ. სსრ-ში, ქოქჩეთაუს ოლქის აღმ. ნაწილსა და პავლოდარის ოლქის საზღვართან. ფართ. 777 *კმ*², სიღრმე 3,2 *მ*-მდე. მდებარეობს ვრცელი ქვაბულის ძირზე, 64 *მ* სიმაღლეზე. აღმ. და ჩრდ. ნაპირები მაღალი და სწორია, დას. — შეჭრილ-შემოჭრილი. დას. და სამხრ. ნაპირებთან — ქვიშიანი ვაკე. ტბის აღმ. ნაწილში ჩაედინება ირტიში. ტბის ფსკერი ბრტყელია. ტბა ზამთარში იყინება. ტბის წყალი ნატრიუმის ქლორიდის ტიპის მარილიანი ბრომიანი ბორიანი ნატრიუმიანია. მარილიანობა 1 ლ-ში 1,5—2,5 გ. ტბის ნაპირებზე ბევრია მარილიანი ჭაობი. ტბაში ბინადრობს ბაკურა, ქარიყლაპია, ქორჭილა, ქაშაყი, ლოქო, ქოლიო, ქარიყლაპიას ლარვა. ტბის ნაპირებზე ბუდობს ბატისებრნი, ბატი, ხოხობი, ტოროტო, ტოროტოს ბარტყი, ტოროტოს ბუდე; 5—მიტოქონდრიები; 6—თავისუფალი რიბოსომები; 7—ენდოპლაზმური ბადის განშტოებები; 8 — გოლჯის კომპლექსი; 9—მიკროსხეულები; 10 — ბირთვი და ბირთვის ორშრიანი მემბრანა; 11—ბირთვაკი.



სელაგინელა. სელაგინელას განვითარების ციკლი: 1 — სტრობილი; 2—მიკროსპორა; 3—მამრობითი გამეტოფიტი; 4—სპერმატოზოიდი; 5—კვერცხუჯრედი; 6—ზიგოტა; 7—სპოროფიტის განვითარების დასაწყისი; 8—ზრდასრული სპოროფიტი; 9—სტრობილი; 10—რიზოფორები; 11 — მეგასპორა; 12—მღედრობითი გამეტოფიტი.

რები თანდათან გადადის მლაშობ ჭაობში. ს. საზრდოობს თოვლის წყლით. ერთვის (მხოლოდ წყალდიდობის დროს) მდ. სელეთი.

სელეთჯა, მდინარე რსფსრ ამურის ოლქში, მდ. ზეის ყველაზე დიდი მარცხ. შენაკადი. სიგრძე 647 *კმ*, აუზის ფართ. 68,6 ათ. *კმ*^{2}. სათავე აქვს იამ-ალინისა და ეზოპის ქედის შესაყარზე. ზემოთში მთის მდინარეა, ქვემოთში ზეა-ბურეის ვაკის ჩრდ. კიდეზე მიედინება. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი 715 *მ*^{3}/*წმ*. იყინება ნოემბ. დასაწყისში, ხინულძვრაა მაისის დასაწყისში. სანაოსნოა.

სელენგა, მდინარე მონღ. სრ-სა და ბურ. ასსრ-ში; წარმოიქმნება მდ-ების იდერისა და მურენის შეერთებით. ჩადის ბაიკალის ტბაში და ქმნის დელტას (ფართ. 680 *კმ*^{2}). სიგრძე იდერის სათავიდან 1024 *კმ* (აქედან 409 *კმ* სსრკ ტერიტორიაზეა). აუზის ფართ. 447 ათ. *კმ*^{2}. მთავარი შენაკადებია: ეგინ-გოლი, ორხონი (მონღ. სრ), ჯიდა, ჩიკოი, ხილოკი, უდა (სსრკ). გაზაფხულზე იცის მცირე წყალდიდობა, წყალმოვარდნები—ზაფხულსა და შემოდგომაზე, ზამთარში წყალმცირეა. წყლის საშ. ხარჯი სსრკ-ის და მონღ. სრ-ის საზღვართან ახლოს 310 *მ*^{3}/*წმ*, შესართავიდან 127 *კმ*-ზე — 935 *მ*^{3}/*წმ*. იძგიფება ნოემბრიდან აპრ-მდე. რეგულარული ნაოსნობა არის ქ. სუხე-ბატორამდე (მონღ. სრ). ს-ის ნაპირზეა ბურ. ასსრ-ის დედაქალაქი ულან-უდე და დაბა სელენგინსკი.

სელენე (ბერძნ. Selēnē), მ ე ნ ე (ბერძნ. Mēnē), ლ უ ნ ა (ლათ. Luna), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში მთვარის ქალღმერთი, ტიტან ჰიპერიონისა და თეას ასული (ჰესიოდე, თეოგონია 371), ჰელიოსისა და ეოსის და. ჰომეროსი არ თვლის ქალღმერთად, მაგრამ პიმნებში მშვენიერ, თეთრხელება, ფრთებგაშლილ ოქროსგვირგვინოსან ქალღმერთს ეძახის. წყნარად მიდის ცის თაღზე მისი ეტლი, შუქით ახარებს ადამიანებს, მწუხრის ჟამს ჩადის გამოქვაბულში და დასცქერის მარადიული ძილით მოცულ ენდიმიონს (მშვენიერი ჭაბუკი), ვისგანაც 50 ასული (50 მთვარის თვე ოლიმპიურ თამაშებს შორის) ჰყავს. მოგვიანებით ს-ს სახე არტემიდას, ჰეკატეს, პერსეფონეს შეერწყა. რომში ღვთაება ლუნას ტაძრები იდგა ავენტინუსის, კაპიტოლიუმის და პალატინუსის ბორცვებზე. გამოსახავდნენ ეტლში მჯდომი ქალის სახით; ეტლში თეთრი ცხენები ან ძროხები (რ-თა რქებიც მთვარის სიმბოლო იყო) ება.

სელენი (Selenium), Se, ელემენტთა პერიოდული სისტემის VI ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 34, ატ. მასა 78,96, $t_{დნ}$ 217°C, $t_{დუღ}$ 685°C, სიმკვრივე 4807 *კგ*/*მ*^{3}. ს-ის ორთქლი მოყვითალო ფერისაა. ბუნებრივი ს. შედგება ექვსი სტაბილური იზოტოპისაგან (%): ^{74}Se (0,87), ^{76}Se(9,02), ^{77}Se (7,58), ^{78}Se (23, 52), ^{80}Se (49,82), ^{82}Se (9,19). ცნობილია ს-ის 16 რადიოაქტიური იზოტოპი, რ-თაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ^{75}Se($T_{1/2}$=121 დღ-ღ). ს. აღმოაჩინა ი. *ბერცელიუსმა* 1817 (სახელწ. <ბერძნ. selēnē—მთვარე).

ს. ძალზე იშვიათი გაბნეული ელემენტია. დედამიწის ქერქში მისი საშ. შემცველობაა (მასის მიხედვით) 5·10^{-6} %. ცნობილია ს-ის 38 მინერალი (სელენიდები, სელენიტები, სელენატები). ს. ტიპური *ნახევრად გამტარია*. ს-ს ახასიათებს ალოტროპიული მოდიფიკაციები: ამორფული (ფხვნილისებრი, კოლოიდური, მინისებრი) და კრისტ. (მონოკლინური α- და β-ფორმა, ჰექსაგონური γ-ფორმა). ს-ის ყველა მოდიფიკაციას ახასიათებს ფოტოელექტ. თვისებები. ჩვეულებრივ ტემპ-რაზე ს. ჰაერზე მდგრადია; ჟანგბადი, წყალი, მარილმჟავა და განზავებული გოგირდმჟავა მასზე არ მოქმედებს. კარგად იხსნება კონცენტრირებულ აზოტმჟავაში, თეზაფსა და ტუტეებში. ნაერთებში ს-ის ჟანგვის ხარისხია: — 2, +2, +4, +6. ჟანგბადთან წარმოქმნის რიგ ჟანგეულებს: SeO, Se_2O_5, SeO_2, SeO_3. ცნობილია მისი ნაერთები ჰალოგენებთან SeF_4, $SeCl_4$, $SeBr_4$, Se_2Cl_2 და სხვ., ფოსფორთან—P_2Se_3, P_4Se_3, P_2Se_5, ნახშირბადთან — CSe_2, აზოტთან Se_4N_4. წყალბადს იერთებს $t \geqslant 200$°C-ისას და წარმოქმნის სელენწყალბადს H_2Se, რ-ის წყალხსნარს სელენწყალბადმჟავა ეწოდება. ლითონებთან წარმოქმნის სელენიდებს. ცნობილია ს-ის ორგ. ნაწარმები (იხ. *სელენორგანული ნაერთები*). ს-ის ყველა ნაერთი მომწამვლელია.

ს-ს ღებულობენ გოგირდმჟავასა და ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ნარჩენებისაგან, აგრეთვე სპილენძის ელექტროლიზური რაფინირების ანოდური შლამებისაგან. ს-ს ფართოდ იყენებენ ნახევრად გამტარების ტექნიკაში ელექტრო- და რადიოტექნიკაში, სხვადასხვა სელენიდის მისაღებად, მინის მრეწველობაში, რეზინის ვულკანიზაციისათვის და სხვა.

ლიტ.: Филянд М. А., Семенова Е. И., Свойства редких элементов, 2 изд., М., 1964.

სელენოგრაფია (ბერძნ. selēnē — მთვარე და ... გრაფია). ასტრონომიის დარგი, რ-ის მიზანია მთვარის ზედაპირის აღწერა. უფრო თანამედროვე მეთოდებით მთვარეს შეისწავლის *სელენოდეზია* და *სელენოლოგია*.

სელენოგრაფიული კოორდინატები, მთვარის ზედაპირზე წერტილთა მდებარეობის განმსაზღვრელი რიცხვები, სახელდობრ, სელენოგრაფიული განედი და გრძედი. გ ა ნ ე დ ი არის წერტილის კუთხური დაშორება მთვარის ეკვატორიდან; აითვლება წერტილის მერიდიანზე ჩრდ. (დადებითია) ან სამხრ. (უარყოფითია) მიმართულებით (ჩრდ. პოლუსი ისაა, საიდანაც დაკვირვებისას მთვარე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს). გ რ ძ ე დ ი არის კუთხე წერტილისა და საწყისი მერიდიანის სიბრტყეებს შორის, ამასთან საწყისად მიჩნეულია ის მერიდიანი, რ-ის სიბრტყე დედამიწის ცენტრზე გადის, როცა გრძედზე ლიბრაცია ნულის ტოლია (იხ. *მთვარის ლიბრაცია*). გრძედი დადებითია საწყისი მერიდიანიდან აღმ. მიმართულებით, უარყოფითი — დას. მიმართულებით, რაც გამონაკლისია პლანეტოგრაფიული კოორდინატების საერთო სქემაში.

სელენოდეზია (ბერძნ. selēnē — მთვარე და daiō—გავყოფ), მთვარის ფიგურისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერების დარგი; შეისწავლის როგორც მთვარის გეომ. (ფიზ. ზედაპირით შემოსაზღვრულ), ისე ე. წ. დინამიკურ ფიგურას. ამ უკანასკნელს ახასიათებს მთვარის ინერციის ელიფსოიდი და ერთ-ერთი დონის ზედაპირი (ე. წ. სელენოიდი), რ-ით შემოსაზღვრული მოცულობა მთვარის მოცულობის ტოლია. ს-ის ამოცანებია: მთვარეზე *სელენოგრაფიული კოორდინატების* ასათვლელი საკოორდინატო სიბრტყეების, სელენოდეზიური საყრდენი წერტილების ბადისა და სხვ. აგება, მთვარის ფიგურისა და რელიეფის პარამეტრთა დადგენა, ზედაპირის კარტოგრაფირება და სხვ. 1959 შემდეგ ამ ამოცანათა გადასაწყვეტად კოსმონავტიკის საშუალებებსაც იყენებენ.

ლიტ.: Гаврилов И. В., Фигура и размеры Луны по астрономическим наблюдениям, К., 1969.

სელენოლოგია (ბერძნ. selēnē—მთვარე და... ლოგია), მთვარის აგებულებისა და ქიმ.-მინერალოგიური შედგენილობის შემსწავლელი მეცნ. დარგი. წარმოიშვა XX ს. შუა ხანებში კოსმონავტიკის საშუალებით მთვარის პირდაპირ გამოკვლევათა შედეგად. ს. იყენებს ასტროფიზ., გეოფიზ., გეოქიმ., მეთოდებს. მთვარის ქანებს სწავლობენ როგორც დისტანციური ანალიზის, ისე დედამიწის ლაბორატორიებში მათი ნიმუშების გამოკვლევის საშუალებით, მთვარის შინაგან აგებულებას — სეისმური ექსპერიმენტებით, აგრეთვე მზისიერი ქარის მიერ მთვარეში აღძრული ელექტრომაგნ. ველის მიხედვით. კოსმოსური აპარატებით მთვარის გრავიტაციული ველის შესწავლამ აღმოაჩინა ე. წ. მასკონები — მასათა შემგვრივებები; შეიმჩნევა მაგნ. ანომალიებიც. გამოირკვა, რომ მთვარეს ხანგრძლივი, რთული ევოლუცია აქვს გავლილი. მის ზედაპირზე ძირითადია მეტეორიტული ეროზია. ს-ის შედეგები საინტერესოა მზის სისტემის სხვა, ატმ-ს არმქონე სხეულთა შესასწავლადაც.

ლიტ. იხ. სტ-თან მ თ ვ ა რ ე.

სელენორგანული ნაერთები, ნივთიერებები, რ-თა მოლეკულა შეიცავს ნახშირბად — სელენის ბმას. ს. ნ-ის ძირითადი ტიპები (R — ორგ. ნაშთი): სელენიდები R_2Se, დისელენიდები RSe—SeR, სელენოლები RSeH, სელენოქსიდები R_2SeO, სელენონები R_2SeO_2, სელენინური მჟავები $RSeO_2H$, სელენონური მჟავები $RSeO_3H$ და სხვ. ს. ნ. ურთიერთქმედებენ ჰალოგენებსა და მჟავაგებთან. ს. ნ-ს ღებულობენ ორგ. ნაერთებთან სელენისა და მისი ნაერთების (Se, H_2Se, SeO_2 და სხვ.) ურთიერთქმედებით. ს. ნ-ს იყენებენ პოლიმერიზაციისა და ჟანგვის ინჰიბიტორებად, მასალების სტაბილიზატორებად, გამხსნელებად და სხვ.

სელენწყალბადი, H_2Se, სელენის წყალბადნაერთი; იხ. *სელენი*.

„სელესტინა“ („კალისტოსა და მელიბეას ტრაგიკომედია“), ესპანური რომან-დრამა, (დაახლ. 1492—97), რ-საც მიაწერენ ფ. დე როხასს. ამ ნაწარმოებით, რ-შიც მკაფიო რეალისტური ფერებითაა წარმოსახული ცოცხალი სინამდვილე, ქალაქის მდაბიოთა ცხოვრება, დაიწყო ახ. ესპ. ლიტ-რა. მისი მთავარი გმირის, მოხერხებული მაჭანკლის სელესტინას სახელი ზოგად სახელად იქცა. „ს.“ არაერთი მწერლის შთაგონების წყარო გახდა (ლოპე დე ვეგა კარპიო, ტირსო დე მოლინა და სხვ.).

სელექტორი (ლათ. selector — მახარისხებელი) სადენიან კავშირგაბმულობაში, ამორჩევითის (სელექტორულ) სატელეფონო კავშირგაბმულობაში გამომძახების მიმღები ელექტრომექან. მოწყობილობა; იყენებენ უპირატესად რკინიგზის ტრანსპორტზე. აბონენტის გამომძახების სიგნალი წარმოადგენს ელექტრული იმპულსების (იხ. *იმპულსი ე ლ ე ქ ტ რ უ ლ ი*) სერიას (კოდს). XX ს. 60-იანი წლებიდან სელექტორული სისტემის ნაცვლად იყენებენ უფრო სრულყოფილ ტონალურ ამორჩევითი გამო'ახების სისტემას.

სელექტორი სატელევიზიო არხებისა, სატელევიზიო არხების გადამრთველი, სატელევიზიო მიმღების შესავალი კვანძი, რ-იც უზრუნველყოფს ტელემაყურებლისათვის საინტერესო ტელეგადაცემის პროგრამის არჩევას. ს. შეარჩევს საჭირო სატელევიზიო სიგნალს, გააძლიერებს მას და გარდაქმნის შუალედური სიხშირის სიგნალად. ს-ს ამზადებენ ცალკე მოსახსნელი ბლოკის სახით, მის შედგენილობაში შედის შესავალი წრედი, მაძლიერებელი, სიხშირის გარდამქმნელი და გადამრთველი მოწყობილობა.

არსებობს მეტრული, დეციმეტრული და ორივე დიაპაზონის ს-ები. მეტრული დიაპაზონის სელექტორში სატელევიზიო არხების გადართვა ხდება რეზონანსული წრედის ინდუქციურობის კოჭას გადართვით, ხოლო ჰეტეროდინის დამატებითი აწყობა — ცვლადი კონდენსატორით. დეციმეტრულ ს-ში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს კოაქსიალური რეზონატორის სიხშირის მდორე ცვლილებით. XX ს. 70-იანი წლებიდან გამოყენება დაიწყეს ელექტრონული გადამრთველებისა, რ-თა საშუალებით არხები გადაირთება *ნახევარგამტარიანი დიოდებით*, ხოლო რე-

ზონასული წრედი აიწყობა ვარიკაპებით (ვარაქტორებით). ასეთ ს-ებს აქვთ ღილაკიანი ან სენსორული მმართველი მოწყობილობა. *გ. კიკვილაშვილი.*

სელექცია (ლათ. selectio — არჩევა, გადარჩევა), 1. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების შტამების ახალი ჯიშების გამოყვანა და ძველის გაუმჯობესება გადარჩევის, *ჰიბრიდიზაციის*, შთამომავლობის მიხედვით შეფასების და სხვ. გზით. 2. მეცნიერული დისციპლინა, რ-იც სწავლობს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანასა და ძველის გაუმჯობესების მეთოდებს. სას.-სამ. ცხოველთა ჯიშების ს-ს ხშირად ცხოველთმომშენებლობას უწოდებენ. ს-ის თეორ. საფუძველია *გენეტიკა*, რ-ის კანონების ცოდნა შესაძლებლობას: აძლევს სელექციონერებს სწორად მართონ მცენარეთა და ცხოველთა მემკვიდრეობა.

ს-ის ისტორია იწყება მცენარეთა და ცხოველთა მოშენების დაწყებასთან ერთად. როდესაც ადამიანმა შენიშნა, რომ მისთვის სასარგებლო მცენარე თუ ცხოველი თაობასავე მსგავს შთამომავლობას იძლევა, მაშინ მან თავისი მოთხოვნილების შესაბამისად დაიწყო საუკეთესო ინდივიდების არჩევა და გამრავლება. ამ გზით წარმოიშვა ხალხ. ს. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება სამრეწვ. ს. გაიზარდა ინტერესი მცენარეთა და ცხოველთა ახ. ჯიშების გამოყვანისადმი. ამ მხრივ მეცნ. ს-ის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ჩ. დარვინის *ევოლუციურმა მოძღვრებამ*. შეიქმნა თეორ. ბაზა ს-ის მეთოდების დამუშავებისათვის. სსრკ-ში ხეხილოვანი კულტურების ს-ის განსრით წარმატებით მუშაობდა ი. *მიჩურინი*. ლ. *ბერბანკმა* (ამერიკა) გამოიყვანა ხეხილოვან და დეკორ. მცენარეთა მრავალი საინტერესო ჯიში. 1903 მოსკ. სას.-სამ. ინ-ტთან (ახლანდ. კ. ტიმირიაზევის სახ. სას.-სამ. აკად.) შეიქმნა ს-ის სადგური, სადაც ნაყოფიერ სამეცნ. მუშაობას ატარებდა დ. რუდინსკი; რუს. მასშტაბით აქ პირველად გამოიყვანეს მარცვლოვანი კულტურებისა და სელის ჯიშები. მომზადდა სელექციონერთა კადრები. 1910—14 ხარკოვის, სარატოვის, ბეზენჩუკის, ოდესის საცდელ სადგურებთან შეიქმნა ს-ის განყ-ბები. 1911 ხარკოვში მოწვეულ იქნა რუს. სელექციონერთა და მეთესლეთა I ყრილობა.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სელექციური მუშაობა ჩვენს ქვეყანაში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1918 ი. მიჩურინის სანერგე უკვე სახელმწიფოს ხარჯზე იყო. 1921 გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი „მეთესლეობის შესახებ". 20—30-იან წლებში შეიქმნა სასელექციო სამეცნ.-კვლ. დაწესებულებათა ახ. ქსელი. ორგანიზებულ იქნა სახელმწ. ჯიშთა გამოცდა და ჯიშთა დარაიონება. ს-ის განვითარების მიმართულებას განსაზღვრავს ბუნებრივი პირობები და წარმოების მიერ ჯიშისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამ მხრივ მთავარია მაღალხარისხოვანი პროდუქციის დიდი რაოდენობით მიღება. გარდა ამისა სელექციური გამოკვლევები ტარდება მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მცენარეთა და ცხოველთა გამძლეობაზე, სიცივე, ყინვა და გვალვაამტანობაზე, ადგილ. პირობებთან შეგუებაზე და სხვ.

ს-ის ძირითადი მეთოდებია გადარჩევა, შერჩევა, ჰიბრიდიზაცია, პოლიპლოიდია და მუტაგენეზი. სელექციურ მუშაობაში მთავარია გადარჩევა (იხ. *გადარჩევა მემცენარეობაში*, *გადარჩევა მეცხოველეობაში*). **ჰიბრიდიზაცია** შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ახ. სასელექციო მასალა როგორც მშობლიურ ფორმათა საჭირო მიმართულებით განვითარებისათვის, ისე ახ. სასურველ ნიშან-თვისებათა წარმოსაქმნელად. ჰიბრიდიზაციისა და შემდგომში გადარჩევის მეთოდებით გამოყვანილია კულტ. მცენარეთა და ცხოველთა ბევრი ძვირფასი ჯიში. *ჰეტეროზისის* მოვლენის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ნაყოფიერად ვისარგებლოთ ჰიბრიდების პირველი თაობის მაღალპროდუქტიულობის უნარით. პოლიპლოიდიის მეშვეობით ღებულობენ მცენარეთა ისეთ ფორმებს, რ-ებშიც ქრომოსომთა რაოდენობა გაზრდილია (ტრიპლოიდები, ტეტრაპლოიდები და ა. შ.). ისინი ხშირად განსხვავდებიან დიპლოიდებისაგან სასარგებლო ნიშან-თვისებებით, მაღალი მოსავლიანობით და სხვ. ამ მხრივ საინტერესო მაგალითია ტრიპლოიდური შაქრის ჭარხალი. ინდუცირებული მუტაგენეზი ს-ის ერთ-ერთი პერსპექტული მეთოდია. ამ მეთოდით ბევრი ღირსშესანიშნავი სასელექციო მასალა და მცენარეთა ახ. ჯიშია მიღებული (საქართველოში გამოყვანილია საპარკე ლობიო 75, სოია უნივერსალური და სხვ.).

როგორც მსოფლიოში, ისე სსრკ-ში დიდი მიღწევებია მოპოვებული მცენარეთა და ცხოველთა ს-ში. სსრკ-ში მცენარეთა ს-ის დარგში მუშაობს 400-ზე მეტი, ხოლო ცხოველთა ს-ში 500-ზე მეტი სამეცნ. კვლ. დაწესებულება, შექმნილია 40-ზე მეტი მარცვლეული და საკვები კულტურების სასელექციო ცენტრი.

ს. საქართველოში. საქართველო გამოირჩევა კულტ. მცენარეების დიდი მრავალფეროვნებით. იგი აღიარებულია ხორბლის, ვაზისა და ბევრი სხვა კულტ. წარმოშობის ერთ-ერთ ცენტრად. ხალხ. ს-ით შექმნილია სხვადასხვა კულტ. მრავალი ჯიში — ზანდური, მახა, დიკა (ხორბალი), რქაწითელი, საფერავი (ვაზი) და სხვ.; მეცხოველეობაში — თუშური და იმერული ცხვარი, ხევსურული და მეგრული ძროხა, კახური ღორი, მეგრული თხა, თუშური ცხენი, კოლხური ფუტკარი და სხვ. ჩვენში მეცნ. ს. ჩაისახა კავკ. სახ.-სამ. საზ-ბის დაარსებიდანვე (1850). 1914 თბილ. ბოტან. ბაღში შეიქმნა ს-ის პირველი კაბინეტი (ხელმძღვ. ლ. *დეკაპრელევიჩი*), სადაც დაიწყო ქართ. ჯიშების სელექციური დამუშავება. 1926 საცდელ სადგურებთან (ყარაია, აჯამეთი) შეიქმნა სასელექციო განყ-ბები. დაიწყო ჯიშთა გამოცდა. 1929 დაარსდა საქართვ. სასელექციო სადგური, სადაც ლ. დეკაპრელევიჩთან ერთად მოღვაწეობდნენ ვ. მენაბდე, გ. აბესაძე, ი. ბახტაძე, ი. მარჯანიშვილი, ა. ერიციანი, ე. ჩერნიში და სხვ. 1936 საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში დაარსდა ს. - მეთესლეობის ხოლო შემდეგ საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტში გენეტიკისა და ს-ის კათედრები; 1927 შეიქმნა ცენტრ. ზოოტექ. საცდელი სადგური, სადაც ტარდებოდა სამეცნ.-კვლ. მუშაობა ცხოველთა ს-ში; 1959 საქართვ. ზოოტექ.-საველტერინარო სასწ.-კვლევით ინ-ტში დაარსდა გენეტიკის განყ-ბა ცხოველთა მომშენებლობისა და გენეტიკა-ს-ის კათედრის პარალელურად. 1978 ი. ლომოურის სახ. საქართვ. მიწათმოქმედების სამეცნ.-კვლ. ინ-ტთან შეიქმნა ამიერკავკ. სასელექციო ცენტრი. 1980 ჩაისა და სუბტროპ. კულტურათა საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (ანასეული) დაარსდა საკავშ. სასელექცო ცენტრი. აღნიშნულ დაწესებულებებში ნაყოფიერ სამეცნ.-კვლ. მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან ქ. *ბახტაძე*, ლ. დეკაპრელევიჩი, ფ. *მამფორია*, ი. ჯანდიერი, ნ. *ითელიანი* დ. აგლაძე, მ. რჩეულიშვილი, ბ. იაკობაშვილი, მ. სიხარულიძე, პ. ნასყიდაშვილი, ს. თევდორაძე და სხვ.

ქართვ. სელექციონერებმა გამოიყვანეს და წარმოებაში დანერგეს ჩაის [ქართული 1, ქართული 2, კოლხიდა (ქ. ბახტაძე)], ლიმონის [დიოსკურია (ფ. მამფორია)], ვაზის [ქართული ადრეული (დ. ტაბიძე)], ვაშლის [ივერია (თ. ცერცვაძე)], თუთის— [„გრუზია" (გ. ჯაფარიძე, მ. შაბლოვსკაია)], ხორბლის, ქერის (ლ. დეკაპრელევიჩი, გ. მენაბდე, ა. ერიციანი, ე. როინიშვილი), სოიის [მოწინავე 7 (ე. ჩერნიში, ს. თევდორაძე, ნ. ჯაფარიძე)] ჯიშები, აგრეთვე სიმინდის პიბრიდები [ივერია 503, ქართული 9 (ო. ლიპარტელიანი, ა. ბერაია)], აბრეშუმხვევია [მზიური 1, მზიური 2 (შ. ღვინეფაძე, ნ. სანაძე)], ძროხის კავკასიური წაბლა ჯიში (ნ. გოცირიძე) და სხვ.

ს-ის საკითხები შუქდება სას.-სამ. პროფილის ინ-ტების შრომებში, ჟურნალებში: „Селекция и семеноводство", „საქართველოს სოფლის მეურნეობა" და სხვ.

ლიტ.: სიხარულიძე მ., მინდვრის კულტურათა სელექცია და მეთესლეობა, თბ., 1975; Вавилов Н. И., Избр. соч., М., 1966; Лукьяненко П. П., Избр. труды, М., 1973; Серебровский А. С., Селекция животных и растений, М., 1969. *მ. სიხარულიძე.*

სელექციური დამუშავება სადოსი, სხვადასხვა სახეობის სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის ცალკე ამოღება. ს. დ. უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის მთლიანსა და ხარისხიან მოპოვებას, მაგრამ რთულია ტექნოლ. პირობები და მუშაობის ორგანიზაცია. ამის გამო იზრდება მოპოვებული მადნის თვითღირებულება. ს. დ. განსაკუთრებით ეფექტურია ძვირფასი მადნების მოპოვების დროს, რადგან იგი გასამდიდრებელი სამთო მასის ხარისხის ამაღლების საშუალებას იძლევა. ს. დ-ის ტიპური მაგალითია ჭიათურის მანგანუმის საბადოს მაღაროები, სადაც გავრცელებულია რთული სტრუქტურის ფენები. ფენის ზედა ნაწილში კარბონატული ან დაჟანგული მადანია, ქვედა ნაწილში კი — მდიდარი ჟანგეული მადანი. საქ. სსრ მეცნ. აკად. სამთო მექან. ინ-ტის მიერ ჭიათურის სამთამადნო კომბინატთან ერთად შერჩეული და დანერგილია მანგანუმის მადნების სახესხვაობათა ს. დ-ის რაციონალური ტექნოლ. სქემები. *ი. ზურაბიშვილი.*

სელექციურობა, ამორჩევითობა ტექნიკაში, 1. რადიომიმღებისა, რადიომიმღები მოწყობილობის უნარი სხვადასხვა ინფორმაციის გადამტანი მრავალი სიგნალიდან გამოყოს საჭირო სიგნალები ან მოახდინოს რეაგირება მხოლოდ წინასწარ მოცემული პარამეტრების მქონე სიგნალზე. 2. *რელეური დაცვის* მოქმედების ს. უზრუნველყოფს ელექტრული ქსელის მხოლოდ დაზიანებული ელემენტების გამორთვას. რელეური დაცვის სახეობის მიხედვით დაცვის ს-ის მიღწევა შეიძლება დროის დაყოვნებით, ამოქმედების დენის ძალის შერჩევით და ა. შ.



ი. სელვინსკი.

სელვინსკი ილია (კარლ) ლევის ძე [12 (24). X. 1899, სიმფეროპოლი, — 22. III. 1968, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1941-იდან. 20-იან წლებში კონსტრუქტივისტების ლიტ. დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი იყო. სამოქალაქო ომს მიუძღვნა პოემა „ულიალაევშინა" (1927) და ტრაგედია „კომანდარმი 2" (1928). ნეპის პერიოდს ეხმიანება რომანი ლექსად „პუშტორგი" (1928) და სატირული პიესა „პაო-პაო" (1932). შემდგომში მისი პოეზიის მთავარ თემად იქცა ხალხის ცხოვრება და ისტ. ბედი („რაინდი იოანე", 1937; „ბაბეჭი", 1941). ს-ის მთავარი თხზულებაა დრამ. ტრილოგია „რუსეთი" („ლივონიის ომი", 1944; „პოლტავიდან განგუტამდე", 1949; „დიდი კირილე", 1957). დაჯილდოებულია 5 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—6, М., 1971—74.

სელზამი (Selsam) ჰაუარდ (28. VI. 1903, ჰარისბერგი, პენსილვანია, — 7. IX. 1970, ნიუ-იორკი), ამერიკელი მარქსისტი ფილოსოფოსი. ასწავლიდა ფილოსოფიას ბრუკლინის კოლეჯში, სოც. მეცნიერებათა ჯეფერსონის სახ. სკოლის დირექტორი ნიუ-იორკში (1944—56), ამერიკაში მარქსისტული გამოკვლევების ინ-ტის ერთ-



სელის სახესხვაობათა ჯგუფები: 1 — სართავი; 2 — 3-შუალედური; 4—ზეთოვანი; 5—გართხმული.

ერთი დამაარსებელი, მარქსისტულ ჟურნალ „Science and Society"-ის რედკოლეგიის წევრი, „მარქსისტული ფილოსოფიის ქრესტომათიის" რედაქტორი (1963). ს. იცავს მშვიდობისა და სოციალიზმის იდეებს, აკრიტიკებს რეაქციულ იდეოლოგიას. ს-ის ნაშრომი „რა არის ფილოსოფია? მარქსისტული შესავალი" თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე. მასში გადმოცემულია დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმის საფუძვლები. ს-ის ნაშრომებში ცენტრ. ადგილი უჭირავს ეთიკურ პრობლემატიკას.

თხზ.: Марксизм и мораль, М., 1962; Прагматизм — философия американского империализма, კრ.: Прогрессивные деятели США в борьбе за передовую идеологию, М., 1955; Философия в революции, М., 1963.

ლიტ.: Черкасов И. И., Из истории марксистской философской мысли в США, М., 1977.

სელი (Linum), ერთ- ან მრავალწლოვანი მცენარე სელისებრთა ოჯახისა. აერთიანებს 200-მდე სახეობას, სსრკ-ში 40-მდე სახეობა გვხვდება. ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩვეულებრივი ანუ კულტურული ს. (L. usitatissimum), რ-იც იყოფა 5 ჯგუფად: სართავი, შუალედური, ზეთოვანი, მსხვილმარცვალა, გართხმული. უმთავრესად კულტივირებულია სართავი და ზეთოვანი ს. სართავი ს. ერთწლოვანია, აქვს ცილინდრული ღერო, რომლის სიმაღლე 70—125 *სმ*, აღწევს, ლანცეტისებრი ფოთოლი, ყვავილედი მტევანი. ნაყოფი კოლოფია, თესლი — ბრტყელი, კვერცხისებრი, ყავისფერი (ზოგჯერ ყვითელი). ბოჭკოსაგან (ღეროში 20—28%-ია) ამზადებენ ნართს, ქსოვილს; ჩენჩოს იყენებენ საწვავად, ბეღელად სართავი ს. ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში (კოლხეთი), ამჟამად აღარ მოჰყავთ. ზეთოვანი ს. ერთწლოვანია, დატოტვილღეროიანი. მისი თესლისაგან (35—52% ზეთს შეიცავს) ამზადებენ ლაქს, ოლიფას, საღებავს, ლინოლეუმს და სხვ. იყენებენ აგრეთვე საჭმელად და მედიცინაში; ჩენჩო კონცენტრირებული საკვებია.

ლიტ.: ჯაფარიძე ა., მემცენარეობა, თბ., 1975; Льноводство, М., 1967.


სელი (< არაბ. საილ — ღვარი, წყარო), ღვარცოფი, მრისხანე სტიქიური მოვლენა, ქვატალახოვანი ნაკადი, რ-იც დროდადრო წარმოიქმნება მაღალმთიანი რ-ნების მდინარეთა იმ აუზებში, სადაც ქანები მდიდარია ალუმინისილიკატებითა და თიხის შემქმნელი სხვა მინერალებით. ფიზ. თვისებების მიხედვით განარჩევენ სტრუქტურულ და ტურბულენტურ ს-ს.

სტრუქტურული (ბუნებრივი) ს. დიდი სიჩქარით მოძრავი ქვატალახოვანი პლასტ. კონგლომერატია. მისი დარტყმითი ძალა 9—12-ჯერ აღემატება ამავე სიჩქარით მოძრავი წყლის ნაკადისას. შეიცავს ტალახით გარემოცულ ქვის ლოდებს, ღორღს, მცენარეულ ნარჩენს. მყარი მასალა შეადგენს მთელი მასის 80—90%-ს, წყალი — 10—12%-ს, ბმულ მდგომარეობაში; სიმკვრივე 1900—2300 *კგ/მ*³ აღწევს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში (15—20 *წ*) ქანების დაშლის შედეგად სელური კერებში დაგროვილი და ფიზ.-ქიმ. და სხვა პროცესების ზეგავლენით გარდაქმნილი მყარი მასალა ინტენს. წვიმის, მიწისძვრის, მეწყერისა და სხვ. მიზეზით შეიძლება ერთბაშად მოწყდეს ადგილიდან და დაეშვას ხეობაში ქვატალახოვანი ნაკადის სახით. მოქმედების ხანგრძლივობა რამდენიმე *წთ*-იდან 1—2 *სთ*-მდე აღწევს. ქვატალახოვანი ნაკადი ზოგჯერ 20—30 *კმ* მანძილს გაივლის და გამოზიდვის კონუსზე მილიონობით *მ*³ ქვატალახოვან მასას გამოიტანს, რაც 40—50-ჯერ აღემატება იმავე აუზის მდინარის წლ. მყარ ჩამონადენს.

ტურბულენტური (დენადი) ს., ანუ სელური წყალდიდობა, შეიცავს მთელი მასის 20—30% მყარ მასალას და 70—80% კოლოიდური ნაწილაკებით გამდიდრებულ წყალს. სიმკვრივე 1100—1300 *კგ/მ*³. წარმოიქმნება ძლიერი თავსხმის შედეგად 1—3 წ-ში ერთხელ და მოქმედების ხანგრძლივობა 6 *სთ*-მდე აღწევს. სსრკ-ში სელური რ-ნებია მთისა და მთისპირა ტერიტორიის 20—25%. საქართველოში ძირითადი სელური რ-ნებია ცენტრ. და აღმ. კავკასიონზე (მდ-ების თერგის, არაგვისა და ალაზნის აუზები). დას. კავკასიონისა და კავკ. სამხრ. მთიანეთის მდინარეთა აუზებს გაცილებით ნაკლები სელურობა ახასიათებს.

ს-ის ნგრევითი მოქმედება დიდ ზარალს აყენებს სახ. მეურნეობას, მას ხშირად ადამიანის მსხვერპლიც მოჰყვება.

ლიტ.: Гагошидзе М. С., Селевые явления и борьба с ними, Тб., 1970; Сели в СССР и меры борьбы с ними, М., 1964. *მ. გაგოშიძე.*



სელის ასაღები კომბაინის სქემა: 1—გამყოფი; 2—საგლეჯი აპარატი; 3—ნემსებიანი ტრანსპორტიორი; 4 — მიმჭერი ტრანსპორტიორი; 5—ასაძენძი დოლი; 6—ჩამომყრელი ტრანსპორტიორი; 7—მისაბმელი ურიკა.

სელიმ I იავუზი (Selim I Yavuz) (1467/68 ან 1470/71 — 20. IX. 1520, სტამბოლი), ოსმალეთის სულთანი 1512-იდან. განაგრძობდა თავისი წინაპრების დამპყრობლურ პოლიტიკას. შიიზმთან ბრძოლის ლოზუნგით გამოვიდა სეფიანთა ირანის წინააღმდეგ და ანატოლიაში მოაწყო შიიტების ჟღეტა, 1514 ჩალდირანის ბრძოლაში დაამარცხა შაჰ-ისმაილ I და მიიტაცა დას. სომხეთი, ქურთისტანი და ზოგიერთი სხვა ტერიტორია. 1515 დაასრულა აღმ. ანატოლიისა და სომხეთის დაპყრობა, 1516 დაიპყრო ჩრდ. ერაყი, სირია, პალესტინა, 1517 — ეგვიპტე. ამის შემდეგ წმინდა მუსლ. ქ-ებმა მეჭამ და მედინამ აღიარეს ოსმ. სულთნების უზენაესობა. მიითვისა ხალიფის წოდება, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა ოსმ. სულთნების ავტორიტეტი მუსლ. სამყაროში. 1519 ჩაახშო *ჯელალიების* აჯანყება.

სელიმ III (24. XII. 1761 — 28. VII. 1808, სტამბოლი), ოსმალეთის სულთანი 1789—1807. შეეცადა რეფორმების გატარებას. მისი დავალებით საერო და სას. დიდგვაროვანთა წარმომადგენლების ჯგუფმა ნაწილობრივ განახორციელა გარდაქმნების პროგრამა („*ნიზამი ჯედიდ*"), მაგრამ როცა რეფორმების წინააღმდეგ ფეოდ. რეაქცია გამოვიდა და იანიჩართა მღელვარება დაიწყო, ს. III-ს ძალა არ ეყო თავისი თანამოაზრეებისათვის მხარი დაეჭირა. 1807 წ. 29 მაისს იგი ტახტიდან გადააყენეს, ერთი წლის შემდეგ მოკლეს.

სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი), ახალციხის ფაშა 1803—15; XVIII ს. 90-იანი წწ. დასაწყისში ვიდრე ფაშა გახდებოდა, იყო ზემო აჭარის სანჯაყ-ბეგი. 1809 ივნ. ტახტი შერიფ-ფაშამ წაართვა, მაგრამ 1812 უკან დაიბრუნა. ს.-ფ. უპირისპირდებოდა თურქ. ცენტრ. ხელისუფლებას, იბრძოდა საფაშოს გამოყოფისათვის. თურქ. ხელისუფლებამ ურჩი ს.-ფ-ს დასასჯელად 15-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა. ხირხათის ციხეში (აჭარა) ჩაკეტილი ს.-ფ. დამარცხდა და მას თავი მოჰკვეთეს.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975. *შ. ლომსაძე.*

სელინი (Céline) (ნამდვ. გვარი დეტუში; Destouches) ლუი ფერდინანდ (27. V. 1894, კურბევუა, — 1. VII. 1961, მედონი), ფრანგი მწერალი. ქადაგებდა ანტისემიტიზმს, ძალის კულტს, იცავდა პიტლერული რასიზმის თეორიას („პატარა საბაბი ხოცვა-ჟლეტისთვის", 1937, „გვამთა სკოლა", 1938). დიღად გახმაურდა მისი უკიდურესად ნატურალისტური რომანები „მოგზაურობა ღამის პირას" (1932), „სიკვდილი განვადებით" (1936) და პიესა „ეკლესია" (1933). წერდა ავტობიოგრ. ქრონიკებს, მოთხრობებს, ნარკვევებს და სხვ.

სელინჯერი (Salinger) ჯერომ დეივიდ (დ. 1. I. 1919, ნიუ-იორკი), ამერიკელი მწერალი. სახელი მოიხვეჭა რომანით „თამაში ჭვავის ყანაში" (1951). აღსანიშნავია ს-ის ეპიკური ციკლი — საგა გლეხების ოჯახზე — „ბანანა თევზის ამინდი" (1948), „ფრენი და ზუი" (1961), „ჭერი ასწიეთ, დურგლებო" (1963), „სეიმური — გაცნობა" (1963). ს. ფსიქოლ. და ინტელექტუალური ნაწარმოებების ოსტატია. მისი გმირები უმთავრესად ბავშვები და ყმაწვილები არიან, რ-ებიც მწვავედ განიცდიან საზ-ბასთან კონფლიქტებს: აქედან მომდინარეობს მისი ტრაგიზმი, გაუცხოება, მარტოობა, დაბნეულობა, დეპრესია, პროტესტი საზ-ბაში გაბატონებული სიყალბისა და მანკიერებისადმი. მის ბოლო ნაწარმოებებში იგრძნობა გატაცება რელიგ. დოქტრინებით, აღმოსავლეთის იდეალ. ფილოსოფიით, ს. *კიერკეგორის* ნააზრევით.

თხზ.: თამაში ჭვავის ყანაში, თბ., 1963; [მოთხრობები], თბ., 1969; სევდიანი სიმღერა, თბ., 1967.

ლიტ.: ხვითარია ლ., ჯერომ დეივიდ სელინჯერი, თბ., 1970.

სელის ასაღები კომბაინი, სართავი სელის ასაღები მანქანა. სსრკ-ში იყენებენ ლკ-4ტ და ლკვ-4ტ მარკის მისაბმელ

კომბაინებს. კომბაინს ლკ-4ტ (ნახ.) აქვს სელის ღეროების საგლეჯი 4-სექციიანი აპარატი, განივი ნემსებიანი ტრანსპორტიორი, რ-იც ღეროებს მიმჭერ ტრანსპორტიორს აწვდის. მიმჭერ ტრანსპორტიორს ღეროები გადააქვს ასაძენძ კამერაში. აქ ასაძენძი დოლი გლეჯს სათესლე კოლოფებს, ხოლო ჰაერის ნაკადი მათ ტრანსპორტიორზე ყრის. შემდეგ კოლოფები გადაეცემა ს. ა. კ-ის მისაბმელ ურიკას, აძენძილი ნამჯა კი — მიმჭერი ტრანსპორტიორიდან საგებ ფურცელს, აქედან კი მინდორზე დაიყრება. კომბაინს ლკვ-4ტ აქვს აგრეთვე ნამჯის ძნებად შესაკრავი აპარატი. ს. ა. კ-ის პირმოდების განია 1,52 *მ*, მწარმოებლურობა — 0,7 *ჰა/სთ*. ყველა ორგანოს ამუშავებს ტრაქტორის სიმძლავრის წყასართმევი ლილვი.

სელისებრნი (Linaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ბალახები, ნახევრად ბუჩქები და ბუჩქებია. მათი მარტივი თანაფოთლებიანი (იშვიათად უთანაფოთლო) ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. ყვავილი აქტინომორფულია, ხუთწევრიანი (იშვიათად ოთხწევრიანი). ოჯახი აერთიანებს 6 გვარის 250-მდე სახეობას (უმეტესობა *სელის* გვარს განეკუთვნება). სსრკ-ში გაერცელებულია 2 გვარი — სელი და რადიოლა (Radiola; 1 სახეობა). საქართველოში — მხოლოდ 1 — სელი.

სელის რთვა, სელის ბოჭკოსაგან ნართის (ძაფის) მიღების ტექნოლოგიური პროცესი. ს. რ-ის წედლეულად იყენებენ გრძელ დაძენძილ (ხელეურ ბღუჯებს, ლენტს) ან მოკლე ბოჭკოებს, რ-ებსაც ღებულობენ ძენძვის პროცესში ნარჩენებისა და მოკლეელეროიანი ნამბალის ან *სელის* ბურდოსაგან. ს. რ-ისას ხელეურ ბღუჯებს სელის საჩეჩ მანქანებზე ორიეე მხრიდან ორჯერ ჩეჩავენ საჩეჩი ფირფიტებით, შემდეგ კი განსარიგებელი მანქანის ტილოზე უწყვეტ ლენტად აწყობენ. ლენტებს ატარებენ სავარცხნ-საჩეჩ მანქანაში. მოკლე ბოჭკოებსა და ანაძენძს ჩეჩვის წინ ერთმანეთში აურევენ, ააბუებენ, დააემულსიებენ და ლენტის ფორმას მისცემენ. ჩეჩვის შემდეგ ბოჭკოს ამუშავებენ სალენტე მანქანებზე, რ-ებზედაც ლენტი თანდათან წვრილდება და სწორდება. თუ ნართს სველი ხერხით ღებულობენ, მაშინ ბოჭკოს *საფთალაე მანქანაზეც* ამუშავებენ. ლენტისაგან განსხვავებით ფთილა ოდნავ შეგრეხილია. რთვის წინ ფთილის კოჭებს ქიმიურად ამუშავებენ, რის შედეგად *სართავი მანქანის* გამომჭიმი ხელსაწყო ფთილიდან ელემენტარულ ბოჭკოებს იოლად გამოყოფს. რთვის მშრალი წესის გამოყენებისას ნართს ტექ. ბოჭკოსაგან ღებულობენ. როგორც სველი, ისე მშრალი რთვისთვის იყენებენ რგოლურ სართავ მანქანებს. შეიძლება ცენტრიფუგული სართავი მანქანების გამოყენებაც. სელის ბოჭკოს იყენებენ სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილის მისაღებად (იხ. *სელის ქსოვილი*).

სელის ქსოვილი, სელის ნართისაგან ძირითადად ტილოს ხლართებით მიღებული ქსოვილი. თუ ქსელს ან მისაქსელს დამატებული აქვს ბამბის ნართი, მაშინ მიღება ნახევრად სელის ქსოვილი. ს. ქ-ის დადებითი თვისებებია: დიდი გამძლეობა და ტენის შეწოვის უნარი, კარგი ჰაერ- და თბოშეღწევადობა, აგრეთვე ლპობის წინააღმდეგ მედეგობა. ს. ქ. დასველებისას მცირედ ჯდება. 1 $მ^2$ ქსოვილის მასის კლებადობაა 100—1000 *გ* და მეტი. მაგ., ბატისტი იკლებს 100 *გ*.ბრეზენტი კი — 1000 *გ*-ზე მეტს.

დანიშნულებისა და სტრუქტურის მიხედვით ს. ქ. არის სასუფრე, საპირსახოცე, ხაკოსტიუმე-საკაბე, საზეწრე (თხელი ქსოვილი თეთრეულისათვის), სატერასე. უხეში (ტექ.) ქსოვილებია *ბრეზენტი*, აფრისი, სატომრე, სახანძრო სახელოები და სხვ.; უშვებენ ხამ, ნახევრად გათეთრებულ, გათეთრებულსა და შეღებილ ს. ქ-ს.

სელიშვები, ინდიელ ტომთა ჯგუფი ჩრდ. ამერიკაში. ლაპარაკობენ მონათესავე ენებზე (იხ. *ინდიელთა ენები*). კოლონიზაციამდე ცხოვრობდნენ თანამედროვე აშშ-ის ორეგონის, ვაშინგტონის, მონტანის, აიდაჰოს შტატების ტერიტორიებზე, აგრეთვე კანადასა და ბრიტ. კოლუმბიის სამხრ. ნაწილში. ზღვის სანაპიროზე მისდევდნენ თევზჭერას და საზღვ. ნადირობას. შიდა რ-ნებში კი — ნადირობასა და სამდ. თევზჭერას. ტომები იყოფოდნენ ეგზოგამურ გვარებად. ჰქონდათ პატრიარქალური მონობა, პოტლაჩის ჩვეულება, საიდუმლო რელიგ. კავშირები. გავრცელებული იყო მფარველი სულების კულტი. 1855-იდან (კოლონიზაციის შემდეგ) რეზერვაციებში ცხოვრობენ. რაოდ. დაახლ. 40 ათ. კაცი (1970, შეფასება), მუშაობენ თევზისა და ტყის სარეწებში.

სელიჯა (Linaria), მცენარეთა გვარი შავწამალასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია. აქვთ მორიგეობით ან რგოლურად განლაგებული მრავალი წვრილი ფოთოლი, ორტუჩა ყვავილები, რ-ებიც თავმოყრილია მტევნისებრ ან თავთავისებრ ყვავილედებში. ნაყოფი კოლოფია. 150-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ტროპიკებსგარე ოლქებში, უმთავრესად ხმელთაშუაზღვისპირეთში. სსრკ-ში გვხვდება 60 სახეობა, საქართველოში — 15, მათგან 3 საქართვ. ენდემია, 1 — კავკასიისა. ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ს. (L. vulgaris) ყანის სარეველაა, იზრდება აგრეთვე მდელოებზე, მშრალ გორაკებზე. ზოგი სახეობა დეკორატიულია.



სელიჯა (Linaria vulgaris): ყვავილისა (ა) და ბუტკოს (ბ) სიგრძივი ჭრილი.

სელიხანოვი სერგეი ივანეს ძე [7 (20). III. 1917, პეტროგრადი,—28. IX. 1976, მინსკი], საბჭ. მოქანდაკე. ბელორ. სსრ სახ. მხატვარი (1963). სკკპ წევრი 1943-იდან. სწავლობდა ვიტებსკის სამხატვრო სასწავლებელში (1933—37). მოღვაწეობდა პორტრეტისა („მხატვარი ცი ბაიში", ბრინჯაო, 1957, ბელორ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, მინსკი) და მონუმ. ქანდაკების დარგში (კ. ზასლონოვის ძეგლი, ბრინჯაო, გრანიტი, ორშა, 1955). ავტორია მემორიალური კომპლექსისა „ხატინი" (არქიტ. ი. გრადოვი, ვ. ზანკოვიჩი, ლ. ლევინი, 1968—69; ლენინური პრემია, 1970). დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

სელკუპები (ძვ. სახელწ. XX ს. 30-იან წლებამდე — ო ს ტ ი ა კ-ს ა მ ო დ ი ე ლ ე ბ ი), ხალხი ციმბირში. ცხოვრობენ ტომსკის ოლქის ჩრდ-ით, კრასნოიარსკის მხარესა და რსფსრ იამალ-ნენთა ნაციონალურ ოკრუგში. რაოდ. 3,6 ათ. კაცი (1978, აღწერა). სელკუპური ენა განეკუთვნება ურალური ენების სამოდიურ ჯგუფს. ს. ჩამოყალიბდნენ მდ. ობის შუა დინების აბორიგენი მოსახლეობისა და ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისში საიანებიდან გადმოსულ სამოდიურ ტომთა შერწყმის შედეგად. XVII ს-ში ს-ის ნაწილი ვადასახლდა ჩრდ-ით მდ. ტაზზე, მოგვიანებით კი — მდ. ტურუხანწეც. წარსულში ს-ის საქმიანობა ნადირობა და თევზჭერა იყო, ჩრდ. ჯგუფისა — მეირმეობა. ქრისტიანებად მოქცევის მიუხედავად, შეინარჩუნეს ძვ. რელიგიური წარმოდგენები და საწესო ჩვეულებები. ამჟამად გაერთიანებული არიან კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებში; ტრად. საქმიანობასთან ერთად მისდევენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას.

სელსინი [ინგლ. selsyn < ინგლ. sel(f)— თვითონ და ბერძნ. syn (chronos) —ერთდროული, სინქრონული], *ელექტრული მანქანა*, რ-იც საშუალებას იძლევა რომელიმე მოწყობილობის ან მექანიზმის ლილვი კუთხურად გადაადგილდეს სხვა ლილვის კუთხური გადაადგილების შესაბამისად მაშინ, როცა მეორე ლილვი მექანიკურად არ არის დაკავშირებული პირველთან. მოქმედების პრინციპის მიხედვით ს. არის საბრუნი ტრანსფორმატორი, რ-შიც როტორის ბრუნვის დროს მისი გრაგნილების ურთიერთინდუქციურობა მდოვრედ იცვლება. შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით განასხვაებენ ს. - გადამწოდს (სგ), ს. - მიმღებსა (სმ) და დიფერენც. ს-ს. განასხვაებენ აგრეთვე კონტაქტიანსა და უკონტაქტო ს-ს.; იყენებენ *მიმყოლ სისტემებში* საკონტროლოდ და სამართავად, აგრეთვე საზომ ხელსაწყოთა ჩვენების დისტანციური გადაცემისათვის. ს. მუშაობს ინდიკატორისა და ტრანსფორმატორის რეჟიმით. მისი გამოყენების სფეროა ცვლადი დენის სისტემები (დენის სიხშირე — 50-იდან 500 *ჰც*-მდე).

სელჩუკები, შუა აზიაში მომთაბარე ოღუზთა ტომების გაძლიერების შედეგად X ს. II ნახევარში წარმოქმნილი დიდი ეთნიკური გაერთიანება, რ-საც სათავეში ჩაუდგა სელჩუკი (1010). აქედან წარმოდგა მათი სახელწ. — „ს." ს-მა დაიპყრეს ირანი, ბიზანტ. და ამიერკავკ. მნიშვნელოვანი ნაწილი. თავიანთი ძალაუფლება გაავრცელეს მთელ ახლო აღმ-ში. *ნ. შენგელია.*

სელჩუკთა სახელმწიფო, სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. ს. ს-ს დამაარსებლად სელჩუკს თელიან, მაგრამ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ოფიციალურად დანდანაქანის ველზე ღაზნევიდებთან სელჩუკების გამარჯვების შემდეგ (1040) ჩაეყარა საფუძველი. მისი პირველი სულთანი *თოღრულ-ბეგი* (1038—1063) იყო. ს. ს-ს შექმნა რთულ სოც. და პოლიტ. პროცესს წარმოადგენდა. სელჩუკები მომთაბარულ-მეჯოგურ მეურნეობას ეწეოდნენ და განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ინტენს. მეურნ. მიმდევარ ფეოდ. საზ-ბას დაუპირისპირდნენ. თოღრულ-ბეგისა და მისი მემკვიდრეების — *ალფ-არსლანის* (1063—72), მელიქ-შაჰის (1072—92) სულთნობის წლებში დამყარობლური ომების შედეგად შეიქმნა დიდ სელჩუკთა იმპერია (1040—1194), რ-ის შემადგენლობაში მოექცა არაერთი კულტ. ქვეყანა შუა აზიიდან პალესტინამდე. სელჩუკთა იმპერია ძირითადად ერაყისა და ირან. ტერიტორიას მოიცავდა. XI ს. შუა წლებიდან ს. ს-ს ფეოდალიზაციის შედეგად წარმოიქმნა რამდენიმე ცალკეული პოლიტ. ერთეული სირიაში (1078—1117), ქირმანში (1041—1186), ანატოლიაში (1077—1307). გარდა ამისა, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პოლიტ. ერთეულები დიარბაქირში ართუკიდების დინასტიის სახით (1102—1408), მარდინსა და მაიაფარიკინში (1104—1408), ზენგიდების დინასტია შეიქმნა ელ-ჯაზირასა და სირიაში (1127—1222); ილდეღიზიდების დინასტია—აზერბაიჯანში (1137—1225); სალღურიდებისა—ფარსში (1148—1270); ისმაილიტებისა (ასასინებისა) — ირანსა (1090—1256) და სირიაში (1100 — 1273); დანიშმენდებისა — ცენტრალურსა და აღმ. ანატოლიაში (1071—1174); მათი შტო დამკვიდრდა მალათიაში (1142—1178). ცალკეულ სელჩუკურ პოლიტ. ერთეულებს შორის ყველაზე მეტ ხანს იარსება ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფომ, მთელი XI—XIII სს. მანძილზე საქართველოს ემეზობლებოდა და ახლო პოლიტ., ეკონ. და კულტ. ურთიერთობა ჰქონდა მასთან.


ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968; Босворт К. Э., Мусульманские династии, пер. с англ., М., 1971.

ნ. შენგელია.

სელჩუკური დირჰემი, რუმის სასულთნოში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რ-იც ფართოდ იყო გავრცელებული XIII ს. საქართველოში. ს. დ-ის წონაა 2,8—3 *გ*, რაც უახლოვდება რუსუდან დედოფლის დირჰემის წონას. მონეტის შუბლისა და ზურგის ზედწერილებში იხსენიება არაბი ხალიფა და სელჩუკი სულთანი.

ი. ჯალაღანია.

სემანტიკა (ფრანგ. sémantique < ბერძნ. sēmantikos — აღმნიშვნელი < sēma — ნიშანი) ლ ო გ ი კ უ რ ი, ენობრივ გამოსახულებებსა, უფრო ზუსტად ფორმალიზე-



სარკინიგზო სემაფორი.



ნ. სემაშკო.



ნ. სემეიკო.



ვ. სემენიხინი.

ბული ენის ანუ ინტერპრეტირებული ლოგისტიკური სისტემის გამოსახულებებსა და მათ მნიშვნელობათა შორის არსებული მიმართებების შესწავლა. ლოგიკური ს-ის მიზანია ლოგიკური მუდმივებისა და ასეთ მეთოდოლ. ცნებათა შინაარსების დადგენა, როგორიცაა *საბელდება*, *საზრისი*, მოდელი, *ჭეშმარიტება*, ზოგადმართებულობა და სხვ. ს. ლოგიკური კვლევის აუცილებელი საშუალებაა. ს-ის საკითხები შესწავლილია გ. *ფრეგეს*, ა. *ტარსკის*, რ. *კარნაპის* და სხვათა შრომებში (იხ. აგრეთვე სტ. *პრაგმატიკა*). *ნ. ირანიძე.*

სემანტიკა, იხ. *სემასიოლოგია.*

სემანტიკური ინფორმაცია, ნიშანთა სისტემით წარმოდგენილი შინაარსი, რ-ის აღქმა და გადამუშავება დამახასიათებელია ადამიანისათვის, აგრეთვე ზოგიერთი კიბერნეტიკული მოწყობილობისათვის. ს. ი-ის თვისებების შესწავლა შეუძლებელი იყო *ინფორმაციის თეორიის* გამოყენების გარეშე. ამიტომ თანამედროვე მეცნიერებაში ჩამოყალიბდა ახ. მიმართულება — ს. ი-ის თეორია. ნიშანია ერთ-ერთი მნიშვნელოვან სისტემას წარმოადგენს ბუნებრივი ენა, ე. წ. ლინგვისტური სტრუქტურა. მისი შინაარსობრივი თვისებების შესწავლა ს. ი-ის თეორიის ძირითადი ამოცანაა. ს. ი-ის ზუსტი შეფასებისათვის იყენებენ ტექსტის ერთეულებს (ძირითადად, წინადადებებს) შორის არსებულ მიმართებებს და მათი ფორმალიზაციის გზით ამოდენებენ ადამიანის ან კიბერნ. სისტემის მიერ ტექსტის შინაარსის გაგების პროცესს. ს. ი-ის შესწავლა უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთი კიბერნ. პრობლემების გადაწყვეტასთან, როგორიცაა ხელოვნ. ინტელექტის მქონე სისტემის შექმნა, მანქანური თარგმანის განხორციელება და *საინფორმაციო-ძაძებნი სისტემის* დამუშავება.

სემანტიკური ჯგუფები სახელთა, ამა თუ იმ ენის სიტყვების დაჯგუფება მათი მნიშვნელობების (ან ამ სიტყვებით აღნიშნული მოვლენების) მეტ-ნაკლები სიახლოვის მიხედვით. ყველაზე ზოგადი დაჯგუფება რამდენადმე მიჰყვება მეტყველების ნაწილთა ტრად. კლასიფიკაციას. ამჟამად არსებობს რამდენიმენაირი ს. ჯ. როჟეს დაჯგუფება (1852), რ-იც შეიცავს ექვს განყ-ბას (აბსტრ. მიმართებანი, სივრცე, ნივთიერება, ინტელექტი, ნებელობა, გრძნობები), ბალის დაჯგუფება (1909) — ათ განყ-ბას (აპრიორი, მატერია, აზრი, ნება, მოქმედება, საკუთრება, გრძნობები, საზოგადოება, მორალი, რელიგია), დორნზაიფისა (1934) — ოც განყ-ბას (1—2 — გარე ბუნება, 3—8 — ზოგადი არსებითი სახელები, 9—15 — სუბიექტურის გადმომცემი სიტყვები, 16—20 — სოც. სამყარო და კულტურა); უახლესი სქემა, რ-იც ჰალიგსა და ფონ ვართბურგს ეკუთვნის (1952), ათ ჯგუფს სამ განყ-ბაში ათავსებს: ა) სამყარო, ბ) ადამიანი, გ) ადამიანი და სამყარო. სათანადო ლექსიკოგრაფიული ნაშრომი ცნობილია „იდეოლოგიური (იდეოგრაფიული) ლექსიკონის", „ანალოგიური ლექსიკონის", „თეზაურუსის" და სხვ. სახელწოდებით. ძვ. საბერძნეთში მას „ონომასტიკონს" უწოდებდნენ.

ლიტ.: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974. *ბ. ფოჩხუა.*

სემარანგი (Semarang), ქალაქი და ნავსადგური ინდონეზიაში, კ. იავის ჩრდ. სანაპიროზე. ცენტრ. იავის პროვ. ადმ. ცენტრი. 1027 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი, დიდი სავაჭრო და სამრეწვ. ცენტრი. კვების, საფეიქრო მრეწველობა. ხელოსნობა (მ. შ. სასულე სამუსიკო ინსტრუმენტების წარმოება).

სემარი (Semard) პიერ (15. II. 1887, ვერდენ-სიურ-ლე-დუ, — 7. III. 1942, ეჟრე), საფრანგეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე. საფრ. სოციალ. პარტიის წევრი 1916-იდან. საფრ. კომპარტიის (სკპ) ერთ-ერთი დამაარსებელი (1920 დეკ.) და ხელმძღვანელი. იყო პროფინტერნის II კონგრესის (1922 ნოემბ.) დელეგატი, გ. *მონმუსოსთან* ერთად მიიღო ვ. ი. ლენინმა. სკპ ცკ-ის პოლიტბიუროსა და ცკ-ის წევრი 1924-იდან. 1924—30 სკპ გენ. მდივანი და კომინტერნის აღმასკომის წევრი. 1922—24, 1933—36 რკინიგზელთა უნიტარული პროფკავშირების გენ. მდივანი. 1936-იდან საფრ. და ალჟირის რკინიგზელების გაერთ. ფედერაციის გენ. მდივანი, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმ. კომისიის წევრი. დახვრიტეს ფაშისტებმა.

სემასიოლოგია (ბერძნ. sēmasia — მნიშვნელობა და ...ლოგია), ლექსიკოლოგიის დარგი (განშტოება), რ-იც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას (საგნობრივ მიმართებას), მის აგებულებას და დროში ცვალებადობას. ზოგჯერ ს. უფრო ფართოდაც ესმით, როგორც სიტყვის შინაარსეული მხარის შემსწავლელი მეცნიერება. ს. ფართო გაგებით შეისწავლის სიტყვის გრძნობითის ელფერს, სტილისტურ ღირებულებას. ს., როგორც ისტ. ენათმეცნ. დარგი, შეიქმნა XIX ს. I ნახევარში, როდესაც კ. რაიზიგმა მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მოათავსა გრამატ. დისციპლინათა შორის. მასვე ეკუთვნის სახელწოდებაც, რ-იც გავრცელდა გერმანულენოვან და რუს. (შემდგომ — საბჭ.) სპეც. ლიტ-რაში (თანამედროვე ფრანგულ- და ინგლისურენოვან საენათმეცნ. ლიტ-რაში გავრცელებულია სემანტიკა). ამჟამად ს. შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, მნიშვნელობათა კლასიფიკაციას, სიტყვის შინაარსობრივი მხარის აგებულებას, ენობრივი ნიშნის ბუნებას და მისი კვლევის მეთოდებს. თანამედროვე სემასიოლოგიური კვლევის უმთავრესი მიმართულებებია კომპონენტური ანალიზი (იელმსლევი), დისტრიბუციული ანალიზი (ზ. ზვიაგინცევი), სემანტიკური ველების თეორია (ტრირი, ვაისგერბერი, პორციგი), ლექსიკურ-სემანტიკური ვარირება (ვ. ვინოგრადოვი) და სხვ.

ლექსიკის სემასიოლოგიურ კვლევას უპირისპირდება *ონომასიოლოგია* (სიტყვის, როგორც სახელწოდების, კვლევა). ზოგჯერ ს. იხმარება „ლექსიკოლოგიის" ფარდად.

ლიტ.: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; Звегинцев В. А., Семасиология, М., 1957.

ბ. ფოჩხუა.

სემაფორი (ფრანგ. sémaphore < ბერძნ. sēma — ნიშანი და phoros —მატარებელი), სასიგნალო მოწყობილობა. 1. რკინიგზის ს-ი არა აქვს *ავტომტკიცება*. მის ანძაზე გაკეთებულია მოძრავი ფრთები, რ-თა მდგომარეობა მემანქანეს უჩვენებს თავისუფალია თუ არა გზა. 2. საზღვაო (სამდინარო), ზღვის (მდინარის) ნაპირზე დაყენებული ქანდარიანი ანძა, რ-იც იძლევა გემების გავლის ამკრძალავ ან ნებართვის სიგნალებს.

სემენოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [8 (20). IX. 1874, სოფ. ლიუენსკოე, ორიოლის გუბ., — 18. V. 1949, მოსკოვი], საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭ. ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი. სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944) და რსფსრ პედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1945). კომპარტიის წევრი 1893-იდან. 1891 შეიყვანა მოსკ. უნ-ტში სამედიცინო ფაკ-ტზე; 1893 გახდა მარქსისტული წრის წევრი. 1895 რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და სამშობლოში გადაასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1901 დაამთავრა ჟაზანის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. მუშაობდა ექიმად ორიოლისა და სამარის გუბერნიებში. 1906 ემიგრაციაში იყო შვეიცარიაში, სადაც პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს. 1908 ბოლშევიკურ საზღვარგარეთულ ცენტრთან ერთად გადავიდა პარიზში, სადაც 1910-მდე მუშაობდა რსდმპ ცკ-ის საზღვარგარეთული ბიუროს მდივნად; აქტიურად მონაწილეობდა ლონჟიუმოს პარტ. სკოლის მუშაობაში (1911). 1917 დაბრუნდა მოსკოვში და მონაწილეობდა ოქტ. შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ მოსკ. საბჭოს სამედ. სან. განყ-ბის გამგე იყო, 1918—30 რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის პირველი სახკომი. მისი ხელმძღვანელობით წარიმართა ბრძოლა ეპიდემიებთან, საფუძველი ჩაეყარა საბჭ. ჯანმრთელობის დაცვას, შეიქმნა დედათა და ბავშვთა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ქსელი. 1921—49 — მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის სოც. ჰიგიენის კათედრის პროფესორი, გამგე (1930-იდან მოსკ. I სამედ. ინ-ტი). 1930—36 სრულიად რუს. ცაკის პრეზიდიუმის წევრი, ბავშვთა კომისიის წევრი. 1945—49 რსფსრ პედ. მეცნ. აკად. სასკოლო ჰიგიენის ინ-ტის დირექტორი, ერთდროულად (1947—49) სსრკ მედ. მეცნ. აკად. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და მედ. ისტ. ინ-ტის დირექტორი (1965-იდან ს-ს სახ. სოც. ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულიად საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი). ს. იყო სამედ. ბ-კის (1918), მოსკოვში მეცნიერთა სახლის (1922) დაარსების ინიციატორი, 1927—36 — დიდი სამედ. ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეების უმაღლესი საბჭოს პირველი თავ-რე (1923); ჰიგიენისტთა სრულიად საკავშ. საზ-ბის თავ-რე (1940—49); საკ. კპ (ბ) X, XII—XVI ყრილობების დელეგატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სემეიკო ნიკოლოზ ილარიონის ძე (25. III. 1923, ქ. სლავიანსკი, ახლანდ. დონეცკის ოლქი, — 20. IV. 1945, აღმ. პრუსია), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (19. IV. 1945 და 26. VI. 1945, სიკვდილის შემდეგ), სამხ. მფრინავი-მოიერიშე, კაპიტანი (1945). სკკპ წევრი 1943-იდან. 1942 დაამთავრა ვოროშილოვგრადის მფრინავთა სამხ.-საავიაციო სკოლა. მოქმედ არმიაში იყო 1943-იდან. იბრძოდა უკრ. IV და ბელორ. III ფრონტებზე. იყო 505-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის პილოტი, რგოლის მეთაური, 75-ე გვარდიის მოიერიშე საავიაციო პოლკის შტურმანი. განახორციელა 227 საბრძოლო გაფრენა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 7 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

სემელე (ბერძნ. Semelē), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში თებეს მეფის კადმესა და ჰარმონიას ასული, ზევსის სატრფო, *დიონისეს* დედა. ზევსის ცოლის, ეჭვიანი ჰერას, შთაგონებით ს-მ მოსთხოვა ზევსს თავისი ოლიმპიური სახით სჩვენებოდა, ფიცით შეკრული მეხთამტყორცნელი ზევსის გამოცხადებამ ს. დაფერფლა, ჩვილი დიონისე ზევსმა ს-ს მუცლიდან ამოიყვანა და ბარძაყში შეინახა (შდრ. ამირანის მითი). მოგვიანებით დიონისემ დედა პადესიდან ამოიყვანა და თეონეს სახელით ოლიმპზე დაამკვიდრა. ს-ს მითი აისახა ხელოვნებაში. შილერმა ლექსი უძღვნა, ჰენდელმა—ორატორია. *ა. გელოვანი.*

სემენჩერი, ქალაქი ჩრდ. კავკასიაში, ხაზართა სახაკანოს დედაქალაქი დაახლ. 723-მდე. ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის დადგენილი. ვარაუდობენ, რომ დაღ. ჩრდ. ან მომიჯნავე ჩაჩნ.-ინგ. რომელიმე რ-ნში მდებარეობდა. ს. მნიშვნელოვანი შუალედი პუნქტი იყო ამიერკავკასიიდან აღმ. ევროპაში მიმავალი სავაჭრო გზის. X ს. 60-იან წლებში დაინგრა რუსთა ლაშქრობების შედეგად.

სემენიხინი ვლადიმერ სერგეის ძე [დ. 27. I (9. II). 1918, ქ. სუმი], საბჭ. მეცნიერი ავტომატიკისა და ტელემექანიკის დარგში. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1972). სკკპ წევრი 1945-იდან. მოსკ. ენერგეტ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ

(1941) მუშაობდა ხელსაწყოთსამშენებლო ქ-ნის საკონსტრუქტორო ბიუროში. 1963-იდან ხელმძღვანელობს სამეცნ.-კვლ. ორგანიზაციებს. 1966-იდან მოსკ. რადიოტექ., ელექტრონიკისა და ავტომატიკის ინ-ტის პროფესორია, 1971—74 — რადიომრეწვ. მინისტრის მოადგილე. ს-ის ძირითადი შრომები ეხება ავტომატიზებული სისტემების მართვის დარგს და სპეც. ხელსაწყოთმშენებლობას. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სემენსკაია ელენე მეჩისლავის ასული (დ. 15. V. 1891, ბორჯომი), საბჭ. ექიმ-ჰემატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1915 დაამთავრა მოსკ. სამედ. ფაკ-ტის ქალთა უმაღლესი კურსები (ამჟამად მე-2 სამედ. ინ-ტი). თბილისში 1937—74 ხელმძღვანელობდა ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჰემატოლოგიის განყ-ბას; 1974—79 — ამავე განყ-ბის კონსულტანტი იყო; 1979-იდან ინ-ტთან არსებული პოლიკლინიკის ექიმი ჰემატოლოგია. ს. შეისწავლის ჰემატოლოგიის, ჰემოტრანსფუზიოლოგიის, საქართვ. მოლ-ბლ. სისხლის ჯგუფების დადგენის, სხივური პათოლ. და სხვ. საკითხებს. იგი საქართვ. ლაბორანტთა საზ-ბის უცვლელი თავ-რეა; ექიმ-ლაბორანტების საკავშ. სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ჰემატოლოგია, თბ., 1962 (თანაავტ.); ივანე თარხნიშვილი, თბ., 1962 (თანაავტ.: კ. ერისთავი).

ლიტ.: Жвания Т. О., Зедгенидзе И. Ш., Елена Мечиславовна Семенская, Тб., 1975. *ვ. სემენიძე.*

სემი (ძვ. ებრ. შემი — სახელი), ბიბლიის მიხედვით, *ნოეს* უფროსი ვაჟი, *სემიტების* მამამთავარი.

სემი, მდინარე წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, გუბისწყლის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 965 *მ*-ზე. სიგრძე 24 *კმ*, აუზის ფართ. 105 *კმ*². შერეული საზრდოობისაა. იცის წყალმოვარდნები. *ი. აფხაზავა.*

„სემია ი შკოლა“, ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული პედაგოგიური ჟურნალი მშობლებისათვის. გამოსცემს სსრკ პედ. მეცნ. აკადემია. გამოდის 1946-იდან. ჟურნალის მიზანია დაეხმაროს მშობლებს, სკოლასა და მასწავლებლებს ურთიერთკონტაქტის განმტკიცებასა და აღზრდის პროცესის ერთობლივ ოპტიმალურ ორგანიზაციაში, გასწიოს პედ. ცოდნის პროპაგანდა მოსახლეობაში. წერილებში გაშუქებულია ოჯახში აღზრდის, სკოლისა და ოჯახის კავშირის თეორ. და პრაქტ. ასპექტები, განზოგადებულია ცხოვრებისეული გამოცდილება ამ დარგში. ტირაჟი, 2,5 მლნ. (1985).

სემიკარაკორსკი, ქალაქი (1972-იდან) რსფსრ როსტოვის ოლქში, ნავმისადომი მდ. დონის მარცხ. ნაპირზე. სემიკარაკორსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. უსტ-დონეცკიდან 26 *კმ*. საკონსერვო, ყველის ქ-ნები, კვებისა და ფრინველკომბინატები, საშენ მასალათა წარმოება და სხვ. ს. დაარსდა 1672.

სემიკარბაზიდი, ამინოშარდოვანა, $H_2N—NH—CO—NH_2$, უფერული კრისტალები; $t_{დნ}$ 96°C, იხსნება სპირტსა და წყალში. ს. ქიმ. თვისებებით ჰგავს *ჰიდრაზინსა* და მის ორგ. ნაწარმებს. ს-ს ლებულობენ ჰიდრაზინის და კალიუმციანატის ურთიერთქმედებით და სხვ. ს-ს ძირითადად იყენებენ ალდეჰიდებისა და კეტონების იდენტიფიკაციისათვის.

სემილუკი, ქალაქი (1954-იდან) რსფსრ ვორონეჟის ოლქში, მდ. დონის მარჯვ. ნაპირზე. სემილუკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. ცეცხლგამძლე ნაკეთობათა, საშენ მასალათა, საყოფაცხოვრებო ქიმ. პროდუქციის წარმოება და სხვ.

სემინარი (ლათ. seminarium—სანერგე, გადატანითი მნ-ბით—სკოლა), სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა—მსმენელთა კამათი მოხსენების ან რეფერატის გარშემო. აღმოცენდა ანტ. სამყაროში, მოგვიანებით იყენებდნენ დას. ევრ.-უნ-ტებში. XX ს-იდან—უმაღლეს სასწავლებლებში. ს. ხელს უწყობს სტუდენტთა სამეცნ. აზროვნების გაშლას, გაღრმავებასა და სპეციალიზაციას. არსებობს 3 სახის ს.: ს., რ-იც ხელს უწყობს სისტემ. კურსის ღრმად შესწავლას; ს., რ-იც ეძღვნება სისტემ. კურსის ძირითადი ან მნიშვნელოვანი თემების გაშლას და სასწ.-კვლევითი დანიშნულების ს. (ან სპეცსემინარი), რ-საც ლექციებისაგან დამოუკიდებელი თემატიკა აქვს.

სემინარია (ლათ. seminarium — სანერგე, გადატანითი მნ-ბით—სკოლა), ზოგიერთი სასწავლო დაწესებულების სახელწოდება. ს. ჰქვია ქრისტ. სას. სასწავლებლებს, რევოლუციამდელ რუსეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში — დაწყ. სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი სასწავლებელი (სამასწავლებლო ან საოსტატო ს-ები).

სემინოლები, ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ტომი. ჩამოყალიბდა ფლორიდაში XVIII ს. დასასრ. თანამედროვე ალაბამისა და ჯოფილი ჯორჯიის შტატების ტერიტორიაზე კრიკების კონფედერაციიდან გადმოსახლებულთაგან. XIX ს-ში ე. წ. სემინოლთა ომების (1817—18, 1835—42, 1955—58) შედეგად მათი მიწები დაიპყრო აშშ-მა. ს-ის უმრავლესობა გაჟლიტეს, ნაწილმა ნ.-კ-ის სამხრ. ჭაობებს შეაფარა თავი, დანარჩენებმა ოკლაჰომაში გადაინაცვლეს. თანამედროვე ს. სახლობენ 3 რეზერვაციაში — ფლორიდის სამხრ. აღმ-ით და ოკლაჰომის სოფელში (დაახლ. 3 ათ. კაცი, აქედან ნახევარი მეტისია). მისდევენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, კუსტ. რეწვას.

სემინოვა (ლათ. semen, ნათ. ბრ. seminis —თესლი და ... *ობა*), სასქესო ჯირკვლების სიმსივნე, ჩვეულებრივ ავთვისებიანია. უმეტესად ახალგაზრდებს ემართებათ. ზიანდება სათესლე. ს-ის განვითარებას ხელს უწყობს კრიპტორქიზმი. უფრო ხშირად *მეტასტაზებს* აჩენს ლიმფურ გზებში. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ქირურგ., სხივური და მედიკამენტური.

სემიონოვა ეკატერინე სემიონის ასული [7 (18). XI. 1786—1 (13). III. 1849, პეტერბურგი], რუსი მსახიობი. დაამთავრა პეტერბ. სათეატრო სასწავლებელი. 1803-იდან გამოდიოდა პეტერბ. საიმპერატორო თეატრის სცენაზე; დასში ჩაირიცხა 1805-იდან. ს. იყო გამოჩენილი ტრაგიკოსი. როლები: ანტიგონე (ოზეროვის „ოიდიპოსი ათენში“), ჰერმიონე, ფედრა (რასინის „ანდრომაქე“, „ფედრა“), მეროპე, ზაირა (ვოლტერის „მეროპე“, „ზაირა“), მედეა (ლონჟეპიერის „მედეა“) და სხვ. დატოვა სცენა 1826.

სემიონოვა მარინა ტიმოთეს ასული [დ. 30. V (12. VI). 1908, პეტერბურგი], საბჭ. ბალეტის მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1975). 1925 დაამთავრა ლენინგრ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (ა. ვაგანოვას კლასი) და ჩაირიცხა ლენინგრ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში (ცეკვავდა 1930-მდე). 1930—52 დიდი თეატრის სოლისტი. პარტიები: ჟიზელი (ადანის „ჟიზელი“), რაიმონდა (გლაზუნოვის „რაიმონდა“), ნიკია (მინკუსის „ბაიადერა“), ოდეტა-ოდილია (ჩაიკოვსკის „გედის ტბა“). ს-ს შესრულება გამოირჩეოდა პლასტიკით, ენერგიული ნახტომებით, სინაზით, სისადავითა და ბუნებრიობით. 1953—60 მოსკ. ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგი, 1953-იდან სსრკ დიდი თეატრის ბალეტმაისტერ-რეპეტიტორი. 1960-იდან ა. ლუნაჩარსკის სახ. სახელმწ. თეატრ. ხელოვნ. ინ-ტის საბალეტმაისტერო ფაკ-ტის პედაგოგი. სსრკ სახელმწ. პრემია (1941). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სემიონოვი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე [8 (20). 1. 1874, კისლოვოდსკი,—1. II. 1960, მოსკოვი], საბჭ. არქიტექტორი, ქალაქთმშენებელი. დაამთავრა პეტერბ. სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი (1898). 1908—12 მუშაობდა ინგლისში. ასწავლიდა მოსკ. უმაღლეს ტექ. სასწავლებელში (1920—30), მოსკ. უმაღლეს სახელმწ. სამხატვრო ტექ. სახელოსნოებში, უმაღლეს სახელმწ. სამხატვრო ტექ. ინ-ტსა (1921—30) და მოსკ. არქიტ. ინ-ტში (1930—41). 1930—34 მოსკ. მთავარი არქიტექტორი. მონაწილეობდა მოსკ. გენ. გეგმის შედგენაში (1935). წამუშევრები: ქალაქ-ბაღის დაგეგმარება და განაშენიანება სადგ. პროზოროვსკაიასთან (ახლანდ. კრატოვო მოსკოვ—რიაზანის რკინიგზაზე); ირკუტსკ-ჩერემხოვოს რ-ნის რ-ნული დაგეგმარების პროექტი (ყველა 1933—36). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.



ე. სემიონოვა ქსენიას როლში (ვ. ოზეროვის „დიმიტრი დონელი“). ოსიპოვის გრავიურა.

სემიონოვი ივანე მაქსიმის ძე [დ. 17 (30). VIII. 1906, დონის როსტოვი], საბჭ. გრაფიკოსი. სსრკ სახ. მხატვარი (1974). სკკპ წევრი 1941-იდან. სწავლობდა როსტოვის სამხატვრო ტექნიკუმში (1926—28). საბჭ. კარიკატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ფლობს ტუშის აკვარელთან შეხამების ტექნიკას; მოღვაწეობს ძირითადად ჟოფინი სატირის ჟანრში. 1935-იდან თანამშრომლობს ჟურნ. „კროკოდილში“. 1957-იდან საბავშვო ჟურნ. „ვესიოლიე კარტინკის“ მთავარი რედაქტორი, ცნობილია როგორც ილუსტრატორი. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სემიონოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე [დ. 3 (15). IV. 1896, სარატოვი], საბჭ. ფიზიკოსი და ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1932), საზოგადო მოღვაწე. ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1966, 1976). სკკპ წევრი (1947). დაამთავრა პეტროგრ. უნ-ტი (1917); 1920—31 მუშაობდა ლენინგრ. ფიზიკა-ტექ. ინ-ტსა და პოლიტექ. ინ-ტში (1928-იდან პროფესორი). 1931-იდან სსრკ მეცნ. აკად. ქიმ. ფიზიკის ინ-ტის დირექტორი, ამავე დროს მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (1944-იდან). 1957—63 სსრკ მეცნ. აკად. ქიმ. მეცნ. განყ-ბის აკადემიკოსი-მდივანი. 1960—63 საკავშ. საზ-ბა „ცოდნის“ გამგეობის თავ-რე. 1963—71 სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი. 1961—66 სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი.

ს-მა პირველი შრომები მიუძღვნა მოლეკულური ფიზიკისა და ელექტრონული მოვლენების საკითხებს, სწავლობდა დილექტრიკებში ელექტრულ გარღვევებს და დაამუშავა ამ პროცესის სითბური თეორია. ს-მა შეიმუშავა აირთა ნარევების სითბური აფეთქების თეორია, რ-ის საფუძველზე თანამშრომლებთან ერთად ჩამოაყალიბა მოძღვრება ფეთქებად ნივთიერებებში და დენთებში ალის გავრცელების, დეტონაციისა და წვის შესახებ. ს-მა აღმოაჩინა განშტოებული ჯაჭვური რეაქციები და ჯაჭვური აალების (აფეთქების) მოვლენა. შექმნა ჯაჭვური პროცესების ზოგადი რაოდენობრივი თეორია. გაარკვია მრავალი რთული ჯაჭვური პროცესის დეტალური ქიმ. მექანიზმი, შეისწავლა თავისუფალი ატომებისა და რადიკალების კინეტიკური თვისებები. თანამშრომლებთან ერთად აღმოაჩინა ახ. ტიპის კატალიზი — იონურ-პეტეროგენული კატალიზი პილიმოლეკულურ ადსორბციულ შრეებსა და თხელ აფსკებში. ს. არის უცხოეთის მრავალი აკად. წევრი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1974). ლენინური პრემია (1976), სსრკ სახელმწ. პრემია (1941, 1949), ნობელის პრემია (1956, ს. *ჰინშელვუდთან* ერთად). დაჯილდოებულია 8 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.



ზ. სემიონოვა.




ნ. სემიონოვი.

თბზ.: Наука и общество, М., 1973; О некоторых проблемах химической кинетики и реакционной способности, 2 изд., М., 1958; Цепные реакции, М.—Л., 1934.
ლიტ.: Н. Н. Семенов, сост. Н. М. Эмануэль 2 изд., М., 1966 (Материалы к биобиблиографии ученых СССР. Серия химических наук, в. 38).

სემიონოვი (1906-იდან **სემიონოვ-ტიან-შანსკი**) პეტრე პეტრეს ძე [2 (14). I. 1827, მამული სოფ. ურუსოვოს მახლობლად, ახლანდ. ჩაპლიგინის რ-ნი, ლიპეცკის ოლქი, — 26. II (11. III). 1914, პეტერბურგი], რუსი გეოგრაფი, სტატისტიკოსი, საზ. მოღვაწე, პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1873). რუს. გეოგრ. საზ-ბის ვიცე-თავ-რე (1873—1914). სახელმწ. საბჭოს წევრი (1897). 1848 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა, 1849-იდან ატარებდა საექსპედიციო მუშაობას აღმ. ევრ. ვაკეზე. 1853—55 სწავლობდა გეოგრაფიასა და გეოლოგიას გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში. 1856—57 შეისწავლა ტიან-შანი (ტიან-შანის მეცნ. შესწავლა 50 წლის შემდეგ აღინიშნა მის გვარზე „ტიან-შანსკის" მიმატებით). 1859—60 მონაწილეობდა საგლეხო რეფორმის მომზადებაში, 1864—74 ხელმძღვანელობდა ცენტრ. სტატისტ. კომიტეტს, 1874—97 — სტატისტ. საბჭოს. ს-ის ეკონ. და სტატისტ. შრომებით სარგებლობდნენ კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი.

ს-ის გეოგრ. საზ-ბაში მოღვაწეობას უკავშირდება დიდი ექსპედიციების ორგანიზაცია ცენტრ. აზიაში (ნ. პრჟევალსკისა და სხვ.), ახალ გვინეაზე (ნ. მიკლუხო-მაკლაის) და სხვ., აგრეთვე რუს. ბუნების ამსახველი მრავალტომიანი ნაშრომის შექმნა. მის სახელს ატარებს მრავალი გეოგრ. ობიექტი შუა და ცენტრ. აზიაში, კავკასიაში, ალასკასა და შპიცბერგენზე, მცენარეთა და ცხოველთა დაახლ. 100 ახ. ფორმა. სსრკ გეოგრ. საზ-ბამ დააწესა ს-ის სახ. ოქროს მედალი.



თბზ.: Мемуары, т. 1, 3—4, П., 1915—17 (т. 2, переизд. под назв.—Путешествие в Тянь-Шань, М., 1946).

სემიონოვი, ქალაქი რსფსრ გორკის ოლქში. სემიონოვის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, გორკიდან 69 კმ. ხის მზატვრული დამუშავების ცენტრი (ხოხლომური მოხატულობა). საარმატურო, ავტოსარემონტო, რძის ქ-ნები, ტყის მრეწვ. მეურნეობა, ხის დასამუშ. საწარმოო გაერთიანება. მერქნის მექან. დამუშავების ტექნიკუმი, სამხატვრო სკოლა. შინამრეწველურ-მხატვრულ ნაკეთობათა მუზეუმი.

სემიონოვ-ტიან-შანსკი ანდრია პეტრეს ძე [9 (21). VI. 1866, პეტერბურგი,— 8. IV. 1942, ლენინგრადი], საბჭ. ენტომოლოგი. პ. სემიონოვ-ტიან-შანსკის შვილი. 1888—89 იმოგზაურა იმიერკასპიისპირეთის ოლქში და დას. თურქმენეთში, სადაც იკვლევდა ენტომოლოგიურ ფაუნას. 1890-იდან მუშაობდა პეტერბ. მეცნ. აკად. ზოოლ. მუზეუმში. ს.-ტ.-შ. იყო რუს. ენტომოლოგიური საზ-ბის საპატიო წევრი (1909). დაამუშავა ხოჭოების მრავალრიცხოვანი კოლექცია, რ-იც ეკუთვნოდა ენტომოლოგიურ საზ-ბას და მუზეუმს. მისი ძირითადი ნაშრომები ეხება მწერების სისტემატიკის, ზოოგეოგრ. და ფაუნისტიკის საკითხებს, აგრეთვე სახეობის თეორიას. ს.-ტ.-შ.-მ. თარგმნა ჰორაციუსის ლექსები.

სემიოტიკა (ბერძნ. sēmeiotikon<sēmeion — ნიშანი), **სემიოლოგია,** დისციპლინა, რ-იც იკვლევს ნიშანთა სისტემების ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებას. მისი შესწავლის ობიექტია ყოველნაირი ტიპის ნიშნები (დაწყებული სიგნალიზაციის უმარტივესი სისტემებიდან ბუნებრივი ენებისა და მეცნ. ფორმალიზებული ენების ჩათვლით). ს. ნიშნებს იკვლევს ფორმის, შინაარსისა და გამოყენების მხრივ. შესაბამისად ამისა, ს-ში გამოიყოფა სამი დარგი: 1. სინტაქტიკა, რ-იც სწავლობს ნიშნების ფორმალურ სტრუქტურას შინაარსისაგან დამოუკიდებლად; 2. სემანტიკა, რ-იც შეისწავლის ნიშნებს შინაარსის მხრივ: საზრისს, რ-საც ისინი გამოსახავენ და ობიექტს, რ-საც ისინი აღნიშნავენ; 3. პრაგმატიკა, რ-იც სწავლობს ნიშნების პრაქტ. გამოყენებას, ე. ი. იმას, თუ ვინ, როგორ და რა მიზნით მოიხმარს მათ. ს. წარმოიშვა და განვითარდა XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ ნახევარში. მის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მათ. ლოგიკის, ემპირიული ფსიქოლ., კიბერნ. და მათ. ლინგვისტიკის განვითარებამ. ს-ის ძირითადი პრინციპები პირველად ჩ. პირსმა ჩამოაყალიბა, ხოლო შემდგომ განავითარეს და დაამუშავეს ლვოვ-ვარშავის სკოლის წარმომადგენლებმა და ჩ. მორისმა, რ-მაც ს. დაყო 3 ნაწილად: სინტაქტიკად, სემანტიკად და პრაგმატიკად. ს-ის ჩამოყალიბება ერთიან დამოუკიდებელ სამეცნ. მიმართულებად, პირველ რიგში, დაკავშირებულია ხელოვნური ფორმალური ენების პრობლემატიკასთან (ლოგიკა, მათ. აღრიცხვა, მათ. ლინგვისტიკის წარმომქმნელი გრამატ. დარგები, საინფორმაციო საძიებო ენები, დაპროგრამების ენები, აგრეთვე ის ენები, რ-თაც რეგულარული სინტაქსი აქვთ).

ლიტ.: Карнап Р., Значение и необходимость, пер. с англ., М., 1959; Чёрч А., Введение в математическую логику, пер. с англ., т. 1, М., 1960, с. 15—63; Шрейдер Ю. А., Логика знаковых систем, М., 1974. *ვ. ერქომაიშვილი.*

სემიოტიკა მედიცინაში, სემიოლოგია, სიმპტომატოლოგია, მოძღვრება დაავადების ნიშნების შესახებ. განარჩევენ ზოგად და კერძო ს-ს. **ზოგადი ს.** შეისწავლის იმ ნიშნებს, რ-ებიც ეხება ავადმყოფის საერთო დახასიათებას (სქესი, ასაკი, ეროვნება, პროფესია, მემკვიდრეობითობა, გადატანილი დაავადებანი, სხეულის აგებულება) და მდგომარეობას (ცნობიერების შეცვლა, სხეულის მდებარეობა, სახის გამომეტყველება და სხვ.). ყოველ ნიშანს დიდი მნიშვნელობა აქვს დიაგნოსტიკისათვის. მაგ., ქალები ძალზე ირვიათად ავადდებიან *ჰემოფილიით*; წითელა უმეტესად ბავშვებს ემართებათ; ავადმყოფის შესახედაობა და სიარული *პარკინსონიზმის* დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა და ა. შ. ზოგადი ს. შეისწავლის აგრეთვე ორგანოს ფუნქციების, მორფოლ. და ლაბორ. სინჯების ცვლილებებს (მაგ., ღვიძლის გადიდებას, აგრეთვე შარდისა და განავლის თავისებურებებს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს სიყვითლის დროს და სხვ.). **კერძო ს.** შეისწავლის კონკრეტული დაავადების სიმპტომებს, წარმოშობის მექანიზმებს, დიაგნოსტიკურ მნიშვნელობას, მათი უქონლობის მიზეზებს, შერწყმის თავისებურებებს (იხ. სტ. *სინდრომი*) და სხვ. **ს. დიაგნოსტიკის** მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სემიპალატინსკი, ქალაქი, ყაზ. სსრ სემიპალატინსკის ოლქის ცენტრი. გაშენებულია მდ. ირტიშის ორივე ნაპირზე. ნავმისადგომი მარჯვ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური. 301 ათ. მცხ. (1983). დაარსდა 1718 როგორც ციხესიმაგრე. 1776-იდან 1782-მდე ეწოდებოდა სემიპალატკა. XVIII ს-ში სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრი იყო, შედიოდა ციმბირის, შემდეგ ტომსკის გუბერნიაში, 1854-იდან საოლქო ცენტრია. XIX ს. ბოლოდან პოლიტ. გადასახლების ადგილი იყო. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 16 თებ. 1920—28 გუბ. ცენტრია, 1928—32 — ოკრუგისა, 1932-იდან — აღმ. ყაზ. ოლქისა, 1939 — სემიპალატინსკის ოლქისა.

ს-ში განვითარებულია მსუბუქი და კვების მრეწველობა. არის ფეხსაცმლის, მაუდ-კამოლის, მატყლის პირველადი დამუშავების, ზედა ტრიკოტაჟის ფ-კები, სამკერვალო ფირმა „ბოლშევიჩკა", ტყავბეწვეულის გაერთიანება, ხორცსაკონსერვო კომბინატი, საარმატურო, კაბელის, გემთმშენებელი, ცემენტის, საშენ მასალათა და სხვა ქ-ნები. ზოოტექ.-ვეტ., სამედ. და პედ. ინ-ტები, ჯამბულის მსუბუქი და კვების მრეწვ. ტექნოლ. ინ-ტის ფილიალი, 14 სპეც. სასწავლებელი, რუს. და ყაზ. დრამ. თეატრები, მხარეთმცოდნეობის და ლიტ. მემორიალური მუზეუმები.

სემიპალატინსკის ოლქი, ყაზ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1939 წ. 14 ოქტ. ფართ. 179,6 ათ. კმ². მოსახლ. 792 ათ. კაცი (1983). აქედან ქალაქში ცხოვრობს 49%. ცენტრი — ქ. სემიპალატინსკი. ოლქი მდებარეობს რესპ. აღმ. ნაწილში, ბალხაშისა და ალაკოლის ტბების ჩრდ.-აღმ-ით. მთავარი მდინარეა ირტიში შენაკადებით. დიდი ტბებია ზაისანი, სასიქოლი, ალაქოლი და ჟალანაშქოლი. ს. ო-ში განვითარებულია კვების (ხორცსაკონსერვო, ზეთსახდელი, საფქვავი, ხორცის, ყველ-კარაქის, რძისა და კომბინირებული საკვების) და მსუბუქი (მატყლის პირველადი დამუშავების, შალის, ტრიკოტაჟის, ტყავის, ფეხსაცმლის, ბეწვეულის, სამკერვალო) მრეწველობა. აგრეთვე მანქანათსაშ., ლითონდასამუშ. და სამშენებლო ინდუსტრიის (საარმატურო, ცემენტის, სილიკატური აგურის, აზბესტცементის, გემთმშენებელი, ავტოშემკეთებელი, კაბელისა და სხვა ქ-ნების) მრეწველობა. სოფ. მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქცია 80%-ს შეადგენს, მიწათმოქმედებისა — 20%-ს. განვითარებულია მარცვლეული მიწათმოქმედება, სახორცე-სარძეო მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეცხვარეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მევენახეობა და მეფუტკრეობა. სანაოსნოა მდ. ირტიში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

სემირამიდა, სემირამისი, იხ. *შამურამატი.*

სემისი, რომაული და ბიზანტიური ოქროს მონეტის — *სოლიდის* ნახევარი.

გ. დუნდუა.

სემიტები, *სემიტურ ენებზე* მოლაპარაკე ხალხები, რ-ებიც ჩრდ. აფრიკასა და აზიის სამხრ.-დას. ნაწილში მოსახლეობენ. ტერმინი პირველად გერმ. მეცნ. ა. შლეცერმა იხმარა (1781) როგორც ამ ხალხების საერთო სახელწოდება. შემდგომში ის ხსენებული ხალხების მონათესავე ენათა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინის— „სემიტური ენების“ საფუძველი გახდა. ტერმ. „ს.“ ბიბლიურ ტექსტს ემყარება (შესაქმე, თ. XI), სადაც ნოეს ერთ-ერთი ვაჟი *სემი* რიგი ხალხების ეთნარქადაა მიჩნეული. ს-ს განეკუთვნებიან არაბები, არამეელები (სირიელები), ფინიკიელები, ებრაელები, უგარითელები, ამორეველები, ეთიოპები, აქადელები (ასურელები და ბაბილონელები). მათგან მხოლოდ ერთმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე (არაბები, ებრაელები, ეთიოპები, არამეელები). ყველა სხვა სემიტი ხალხი, რ-თა არსებობა საუკუნეთა მანძილზე დადასტურებულია, დღეს აღარ გვხვდება. როგორც ჩანს, ისინი მონათესავე ტომების შემოსევისა და დაპყრობის შედეგად მათში გაითქვიფნენ, დაკარგეს არა მარტო სახელმწიფოებრიობა, არამედ ეროვნ. დამოუკიდებლობაც, თუმცა ბევრმა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში საკუთარი სიტყვა თქვა და ოდესღაც დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანებაც შექმნა (მაგ., ასურელები და ბაბილონელები). ს-ის პირველსაცხოვრისად სხვადასხვა ადგილს მიიჩნევენ, თუმცა ეს პუნქტები აფრიკისა და აზიის კონტინენტებს არ სცილდება. ერთნი ვარაუდობენ, რომ ს-ის პირველსაცხოვრისი აფრიკაში, საჰარის რ-ნში უნდა ყოფილიყო, საიდანაც ძვ. წ. V—III ათასწლეულში არაბ. ნ.-კ-ის გავლით მათ აზიისაკენ გადაიწიეს. ნაწილი აქ დამკვიდრდა, ნაწილმა კი სირია-მესოპოტამიისა და ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპიროსაკენ გადაინაცვლა. არსებობს აზრთა სხვაობა ამ გადანაცვლების ხასიათის შესახებაც. ზოგის აზრით, იგი ერთდროულად უნდა მომხდარიყო (ი. დიაკონოვი), ზოგის ვარაუდით კი, ტალღობრივი ხასიათი უნდა ჰქონოდა (ო. ნელდეკე). მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ს-ის პირველსაცხოვრისს აზიის კონტინენტზე ეძებს. მათგან ზოგი ვარაუდობს, რომ ს-ის პირველსაცხოვრისი სირია უნდა ყოფილიყო (ჟ. კიუპე), სხვათა შეხედულებით, არაბ. ნ.-კ. (ს. მოსკატი), საიდანაც მოხდა მათი განსახლება სირია-მესოპოტამიასა და ჩრდ. აფრიკაში. ს. ისტ. ასპარეზზე ძვ. წ. III ათასწლეულში გამოჩნდნენ. პირველნი, ვინც ამ ხანაში შექმნა უძველესი სახელმწიფო ასურეთი, ასურელები (აქადელები) იყვნენ, რ-ებიც მესოპოტამიაში დასახლდნენ, მათ შემდგომ, ძვ. წ. III—II ათასწლეულში, გამოჩნდნენ ჩრდ. სემიტი ხალხები, ამორეველები და ქანაანელები (მ. შ. ფინიკიელები და ებრაელები). ძვ. წ. II ათასწლეულში უგარითელები, ძვ. წ. II—I ათასწლეულში — სამხრ. ს. (არაბები, ეთიოპები). ყველაზე გვიან ს-ს შორის ისტ. ასპარეზზე არაბული ტომები გამოვიდნენ (ძვ. წ. I ათასწლ.), სწორედ ესენი შეადგენენ დღეს სემიტური მოსახლ. უმრავლესობას, დაახლ. 100 მლნ-ს (იხ. *არაბები*), უმცირესობას კი არამეელები წარმოადგენენ, დაახლ. 1 მლნ-მდე (იხ. *არამეელები*). სემიტური მოდგმის ხალხთა შორის დღეს საკუთარი სახელმწიფო აქვთ არაბებს (ეგვიპტე, ერაყი, სირია, ლიბანი, ალჟირი, მაროკო, ტუნისი, საუდის არაბეთი, ლიბია, სუდანი, ჩრდ. იემენი, ქუვეითი, სომალი, იორდანია, სამხრ. იემენი, ჯიბუტი, ომანი, არაბთა გაერთ. საამიროები, ბაჰრეინი, კატარი, მავრიტანია), ებრაელებს (ისრაელი) და ეთიოპებს (ეთიოპია).

ლიტ.: Крымский А. Е., Семитские языки и народы, 2 изд., ч. 2—3, М., 1909—12; Moscati S., Le antiche civilità semitiche, Bari, 1958; Дьяконов И., The Semites in Ancient History, Cardiff, 1959.

ქ. წერეთელი.

სემიტოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, აღმოსავლური ფილოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რ-იც შეისწავლის სემიტურ ენებსა და ლიტერატურას. ს. აერთიანებს ცალკეული სემიტური ენებისა და ამ ენებზე შექმნილი წერილობითი ძეგლების შემსწავლელ დარგებს: *არაბისტიკას*, არამეისტიკას, *ასირიოლოგიას*, ებრაისტიკას, ეთიოპისტიკას, საბეისტიკას, ბიბლეისტიკასა და სხვ. ვიწრო გაგებით ეს ტერმინი ვარაუდობს ჩრდ.-დასავლური სემიტური ენებისა და ლიტ-რის შესწავლას. ს-ის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით უცხოელ (თ. ნელდეკე, კ. ბროკელმანი, მ. კოენი, ი. გვიდი, გ. დრაივერი, ვ. ლესლაუ და სხვ.) და საბჭ. (ბ. ტურაევი, პ. კოკოვცოვი, ი. კრაჩკოვსკი, ნ. იუშმანოვი) მეცნიერებს. XX ს. 40-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ქართ. სემიტოლოგიურ სკოლას, რ-ის ფუძემდებელია გ. *წერეთელი*. ამ სკოლის წარმომადგენელთა შრომები ფართოდაა ცნობილი. დიდია ქართვ. სემიტოლოგთა მუშაობის დიაპაზონი: არაბისტიკა, არამეისტიკა, ებრაისტიკა, ასირიოლოგია, ეთიოპისტიკა და უგარითისტიკა.

ლიტ.: Струве В. В., Коростовцев М. А., Семитология, как отрасль востоковедения, «Семитские языки», 1965, в. 2, с. 33 — 40; Jedlička J., Petraček K., Die Semitologie in der Georgischen SSR, Acta Universitatis Carolinae. Orientalia Pragensia, Praha, 1960; Tsereteli K., Semitics: Fifty Years of Soviet Oriental Studies, M., 1967.

ქ. წერეთელი.

სემიტური ენები, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე გავრცელებული მონათესავე ენები, რ-თა ფიქსირებული ისტორია 6 ათ. წელს მოიცავს. ს. ე-ს ყოფენ აღმოსავლურ (აქადური — მესოპოტამიაში) და დასავლურ შტოებად. ეს უკანასკნელი თავის მხრივ იყოფა ჩრდილოურ სემიტურად (ამორეული, უგარითული, არამეული, ებრაული, მოაბური, ფინიკიური), რ-იც სირია-პალესტინაშია გავრცელებული, და სამხრეთულ სემიტურად (არაბული, ეთიოპიური), რ-იც არაბ. ნ.-კ-სა და აფრ. კონტინენტზეა გავრცელებული. დროთა განმავლობაში ხმარებიდან გამოდიოდნენ ცალკეული ს. ე. ან ამა თუ იმ ენის გარკვეული დიალექტები. დღეს აღარ ითვლება ცოცხალ ენებად აქადური, ამორეული, ფინიკიური და უგარითული, არამეულისა და ეთიოპიურის მთელი რიგი ლიტ. დიალექტები, მ. შ. კლასიკური სირიული, მანდეური, გეეზი. XX ს. 20-იან წლებამდე არსებობდა თვალსაზრისი, რომ ს. ე. ქმნიან ერთ ენობრივ ოჯახს, რ-იც ხასიათდება მორფოლ. თუ სინტაქსური სტრუქტურის საერთო ტიპით, ბგერათა შესატყვისობების მკაცრი კანონზომიერებით. შემდგომში მას დაუპირისპირდა მოსაზრება სემიტური და ე. წ. *ქამიტური ენების* გენეტური ერთიანობის შესახებ.

ს. ე. გამოირჩევა მდიდარი კონსონანტიზმით, ისეთი სპეციფ. თანხმოვნებით, როგორიცაა ფარინგალები და ე. წ. ემფატიკური ბგერები — ფარინგალიზებული თანხმოვნები. ს. ე-ში ხმოვანი 3 სიგრძისაა: გრძელი, მოკლე და ზემოკლე. სიტყვის ტემბრი ხშირად ფონემის ფუნქციით გეეცლინება. ძირი მხოლოდ თანხმოვნებით გადმოიცემა; ერთიდაიმავე ძირის სხვადასხვაგვარი გახმოვანება ქმნის მონათესავე მნიშვნელობების მქონე სახელთა და ზმნათა მთელ რიგს: ქართ ძირიდან არაბულში გვაქვს ქათაბა „დაწერა“, ქათიბ „მწერალი“, ქითაბ „წიგნი“ და მისთ. სიტყვის ხმოვანთა ცვლა საფუძველია გრამატ. კატეგორიებისა თუ ფორმათა ცვლისა: ქათაბა — მოქმედებითი გვარია, მაგრამ ქუთიბა — ვნებითი გვარი. რაჯულ „კაცი“ მხ. რიცხვია, რიჯალ „ადამიანები“— მრ. რიცხვი. სემიტური ძირი უმეტესად 3 თანხმოვნისაგან შედგება. ზმნის ფორმები განირჩევა მოქმედების ასპექტის მიხედვით: სრული და უსრული. პირველი გადმოსცემს ნამყო წყვეტილს, მეორე — აწმყოს, ნამყო უწყვეტელსა და მომავალს. თანამედროვე ს. ე-ში შეინიშნება გრამატ. დროების განვითარება. სქესი ორია: მამრობითი და მდედრობითი, რიცხვი — 3 — მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი, ბრუნვა — 3 — სახ., ნათ. და მიცემით-ბრალდებითი. სინტაქსიდან ყურადღებას იქცევს თანწყობილ წინადადებათა გავრცელება. ხშირია უზმნო წინადადებაც, ე. წ. ნომინალიზაცია. ს. ე-თვის დამახასიათებელია პარონომაზია— ერთი ზმნური ცნების გადმოცემა მისი პირიანი და მასდარული ფორმით. დიდია სინონიმთა და ომონიმთა რაოდენობა (განსაკუთრებით არაბულში).

ლიტ.: ლეკიაშვილი ა., ბრუნვათა სისტემა სემიტურ ენებში, თბ., 1970; მისივე, სახელთა სქესისა და რიცხვის წარმოება სემიტურ ენებში, თბ., 1963; Гранде Б. М., Введение в сравнительное изучение семитских языков, М., 1972; Крымский А. Е., Семитские языки и народы (со включением двух статей Т. Нёльдеке), 2 изд., ч. 2—3, М., 1909—12; Bergstrasser G., Einführung in die semitischen Sprachen, Münch., 1963; Daniels P. T. (ed.), Introduction to the Semitic languages, 1983.

ქ. წერეთელი.

სემიტურ-ქამიტური ენები, საერთო სახელწოდება სემიტური და ქამიტური ენებისა, რ-ებიც ენათა ერთ ოჯახს ქმნიან. ტერმინი „ს.-ქ. ე.“ შემოიღო ფრანგმა ენათმეცნიერმა მარსელ კოენმა, რ-მაც აღნიშნა ამ ენების გენეტური ერთიანობა. სემიტური და ქამიტური ენების გარკვეული კავშირი კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ სადავოა ამ კავშირის ხასიათი. ზოგიერთი ენათმეცნიერი მას ენათა არა საერთო წარმოშობით, არამედ დროთა განმავლობაში ერთმანეთთან დაახლოებით ხსნიდა (კ. ბროკელმანი). ამავე აზრისაა აკად. გ. წერეთელი, რ-მაც წამოაყენა მოსაზრება სემიტურ და ქამიტურ ენათა ალოგენეტური კავშირის შესახებ. ს.-ქ. ე-ის შიმართ იხმარება ასევე გეოგრ. ხასიათის ტერმ. „აფრიკულ-აზიური ენები“.

ლიტ.: Дьяконов И. М., Семитохамитские языки, М., 1965; Языки зарубежного Востока, IV, Афразийские языки, М., 1980; Tsereteli G., Zur Frage der Beziehungen zwischen den semitischen und hamitischen Sprachen, B., 1970 (MIO, Bd. 15,2).

ქ. წერეთელი.

სემიუელსონი (Samuelson) პოლ ენტონი (დ. 1915), ამერიკელი ეკონომისტი. 1940-იდან მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტის პროფესორი. II მსოფლიო ომის წლებში (1939—45) თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. მრავალი შრომა გამოაქვეყნა ეკონ. ანალიზისა და ეკონომეტრიკის საკითხებზე. არაორთოდოქსალური კეინზიანელია, გამოავლინა თავი როგორც ორიგინ. მკვლევარმა ეკონ. თეორიის სხვადასხვა ასპექტში. იგი ეკონ. მეცნ. საერთაშ. ასოციაციის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდენტია. 1970 მიენიჭა ნობელის პრემია.

თხზ.: The collected scientific papers, v. 1—3, L., 1966—72; Экономика. Вводный курс, М., 1964.

გ. კაბნიაშვილი.

სემპერი იოჰანეს [10 (22). III. 1892, ტუპალაანეს თემი, ახლანდ. ვილიანდის რ-ნი, — 21. II. 1970, ტალინი], ესტონელი საბჭ. მწერალი. ესტ. სსრ სახ. მწერალი (1964). სკკპ წევრი 1940-იდან. ჟურნ. „ლოომინგის“ რედაქტორი (1930—40). ავტორია პოეტური კრებულებისა „პიერო“ (1917), „ხუთი გრძნობა“ (1926), „ვერ გავჩუმდები“ (1943, საბჭ. ესტონეთის პრემია, 1947), „ფურცლები, როგორც ფოთლები ქარში“ (1972, გარდაცვალების შემდეგ); რომანებისა „ეჭვიანობა“ (1934), „ქვა ქვაზე“ (1939), „წითელი მიხაკები“ (1955), პიესებისა (კრებ. „პიესები“, 1961), მოგონებების წიგნისა „მოგზაურო-



ჰ. სემიონოვი.



სემიპალატინსკი. მთავარი ფოსტამტის შენობა.

ბა წარსულში“ (1969) და სხვ. ესტ. სსრ სახელმწ. ჰიმნისათვის მიგნიჭა საბჭ. ესტ. პრემია (1947). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

სენა (Seine), მდინარე საფრანგეთში. სიგრძე 776 *კმ*, აუზის ფართ. 78,6 ათ. *კმ*². სათავე აქვს ლანგრის პლატოს სამხრ. ნაწილში. ძირითადად მიედინება პარიზის აუზში. ხეობა განიერი აქვს, კალაპოტი — დაკლაკნილი, განსაკუთრებით პარიზის ქვეით. ქ. ჰავრის მახლობლად ჩადის ლამანშის სრუტის სენის უბეში. მთავარი შენაკადებია: მარჯვ. — ობი, მარნა, უაზა; მარცხ. —იონა. უმთავრესად სუზრდოობს წვიმის წყლით. ნოემბრიდან მარტის ჩათვლით წყლის დონე მაღალია, ზაფხულში ხანმოკლე წყალმცირობაა. წყლის საშ. ხარჯი პარიზთან დაახლ. 250 $მ^3/წმ$, შესართავთან ახლოს — 450—500 $მ^3/წმ$, ზღვის მოქცევის გავლენა ვრცელდება ქ. რუანის ზევით 35 *კმ*-ზე. ს. არის საფრ. უმნიშვნელოვანესი წყლის გზა. სანაოსნოა (გვერდითი არხით) ქ. ტრუადან. არხებით უერთდება მდ-ებს: სომას, შელდას, მაასს, რაინს, სონას, ლუარასა და სხვ. დიდი ნავსადგურებია: პარიზი, რუანი, ჰავრი.

სენაკი, ცალკე ოთახი ბერის, მონაზვნის, განდეგილისათვის. „მცირე სახლაკი“.

სენაკი, ქ. *ცხაკაიას* ძვ. სახელწოდება; გადაერქვა 1933.

სენაკის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში, ქუთაისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი. ცენტრი—სენაკი. ს. 8. შეიქმნა 1867, გაუქმებული სენაკის ოკრუგის ნაცვლად. იყოფოდა აბაშის, მარტვილისა და ძველი სენაკის უბნებად. გაუქმდა 1930.

სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელი, დაარსდა *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“* 1884 როგორც ქუთ. ქართ. სათავადაზნაურო სკოლის ფილიალი; შემდეგ დამოუკიდებელი ქართ. 2-კლასიანი მოსამზადებელი სასწავლებელი—გახდა. სასწავლებლის დაარსების იდეა 1878 წამოაყენა ა. წერეთელმა. სკოლას დახმარებასა და ინსპექციას უწევდნენ ი. *გოგებაშვილი*, ლ. *ბოცვაძე*, ნ. *ცხვედაძე*, ე. *თაყაიშვილი*, გ. იოსელიანი და სხვ. პირველი გამგე იყო ს. ყიფიანი, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები: ა. წითლიძე, დ. ოყრეშიძე-თომაშვილი, პ. ლორთქიფანიძე, გ. ბოკერია, ი. გოგოლაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ჯანაშია, ი. რამიშვილი, ი. გოშელაური, ა. შუბლაძე, რ. გამსახურდია და სხვ. ს. ს. ს-მა დიდი როლი ითამაშა ქართ. ახალგაზრდობის პატრ. აღზრდის საქმეში და ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სკოლაში სწავლობდნენ კ. გამსახურდია, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, პ. ქავთარაძე და სხვ. ამჟამად ს. ს. ს-ის ბაზაზე მუშაობს სამ. სკოლა. *ვ. გაგუა.*

სენანკური (Senancour) ეტიენ პივერ დე (5 ან 6. XI. 1770, პარიზი, — 10. I. 1846, სენ-კლუ), ფრანგი მწერალი. პირველი თხზ. „ალდომენი“ 1795 გამოაქვეყნა. აღსანიშნავია მისი ფილოს. წიგნი „ფიქრები ადამიანის პირველყოფილი ბუნების შესახებ...“ (1799). სახელი გაითქვა რომანით „ობერმანი. ბ-ნ სენანკურის მიერ გამოქვეყნებული წერილები“ (1804), რ-იც რომანტიკოსთა სახელმძღვანელოდ იქცა.

სენაჟი, ჰერმეტულ პირობებში დაკონსერვებული საკვები, რ-იც დამზადებულია 50—55%-მდე ტენის მქონე შემჭკნარი ბალახისაგან. ს-ის ნედლეულია როგორც ბუნებრივი სათიბი, ისე ნათესი ბალახები.

სენატი (ლათ. senatus < senex — მოხუცი), 1. ძვ. რომში, ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო. აღმოცენდა დაახლ. ძვ. წ. VI ს-ში პატრიციული გვარების უხუცესთა საბჭოს საფუძველზე და მეფის სახელმწ. სათათბიროს წარმოადგენდა. ძვ. წ. III—I სს-ში ს. განაგებდა სამხ. საქმეებს, საგარეო პოლიტიკას, ფინანსებს, ზედამხედველობას უწევდა რელიგ. კულტებს და ა. შ. ს-ს აღმასრ. ძალაუფლება არ ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებული საშიშროების დროს შეეძლო კონსული განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღეჭურვა. ს-ის წევრთა სიებს *ცენზორები* ადგენდნენ. იმპერიის ხანაში ს-ის უფლებები იმპერატორმა შეზღუდა. ახ. წ. III ს. მიწურულს ს. რომის საქალაქო საბჭოდ გადააქციეს. IV ს-ში ს. კონსტანტინოპოლშიც დააარსეს. 2. მრავალ ბურჟ. ქვეყანაში *პარლამენტის* ზედა პალატის სახელწოდება (აშშ, ბელგია, იტალია, საფრანგეთი და სხვ.). ყალიბდება პირდაპირი არჩევნების (მაგ., აშშ, იტალია) ან მრავალსაფეხურიანი არჩევნების (საფრანგეთი) საფუძველზე. ზოგ ქვეყანაში (კანადა, ირლანდია) თვით სახელმწ. მეთაური ნიშნავს ს-ის ყველა წევრს, ზოგან კი (მაგ., ირლანდია) — მხოლოდ ნაწილს. უმრავლეს ქვეყანაში ს-ს, ქვედა პალატისაგან განსხვავებით, ნაწილობრივ გადაირჩევენ ხოლმე. კერძოდ, მის მესამედს — აშშ-სა და თურქეთში 2 წელიწადში ერთხელ, საფრანგეთში კი 3 წელიწადში ერთხელ.

სენატი რუსეთში, მმართველობის უმაღლესი ორგანო. დაწესდა პეტრე I-ის 1711 წ. 22 თებ. ბრძანებულებით. თავდაპირველად მეფის არყოფნისას ქვეყნის მართვის დროებითი კოლეგიური ორგანო იყო, რ-მაც შეცვალა *ბოიართა სათათბირო*. ს. შედგებოდა 9 წევრისა და ობერ-სეკრეტარისაგან. ს-ის წევრებს — სენატორებს — მეფე ნიშნავდა. მეფის არყოფნის დროს ს-ს შეეძლო კანონების მიღება. XVIII ს. II მეოთხედში ს-ის მნიშვნელობა დაეცა, იგი შეზღუდა *უზენაესმა საიდუმლო საბჭომ*, შემდეგ *მინისტრთა კაბინეტმა*. 1763 ს. 6 დეპარტამენტად დაიყო. 1775-იდან ს-ის საქმიანობა სასამართლო ფუნქციებით შემოიფარგლა. სამინისტროების შექმნით (1802) ს. სასამართლო და ზედამხედველობის უმაღლეს ორგანოდ იქცა. XIX ს. II ნახევარში ს. 12. XX ს. დამდეგს კი 6 დეპარტამენტისაგან შედგებოდა. ს. გაუქმდა 1917 წ. 22 ნოემბერს (5 დეკ.).

სენატორი (ლათ. senator), 1. ძვ რომში— *სენატის* წევრი, აგრეთვე ძვ. წ. I ს. ბოლოდან მაღალი ფენის წარმომადგენელი. ს-ის წოდება მუდმივი იყო. იგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა ან შეიძლებოდა იმპერატორს ებოძებინა. 2. რევოლუციამდელ რუსეთში და თანამედროვე ბურჟ. სახელმწიფოებში — სენატის წევრი. ს-ების არჩევისათვის უფრო მკაცრი ცენზია დაწესებული (ასაკობრივი, განათლების, ბინადრობის), ვიდრე ქვედა პალატის დეპუტატად არჩევისათვის.

სენ-ბერნარი (Saint-Bernard), ორი უღელტეხილის სახელწოდება ალპებში. 1. დიდი ს.-ბ. (ფრანგ. Grand- Saint-Bernard, იტალ. Gran San Bernardo), უღელტ. პენინის ალპების დას. ნაწილში, შვეიც. და იტალ. საზღვარზე. სიმაღლე 2469 *მ*. გადადის საავტ. გზა დორა-ბალტეის ხეობიდან (ქ. აოსტა იტალიაში) რონის ხეობაში (ქ. მარტინი-ვილი შვეიცარიაში). 2. პატარა ს.-ბ. (ფრანგ. Petit-Saint-Bernard, იტალ. Piccolo San Bernardo), უღელტ. გრაის ალპების ჩრდ. შტოქედებზე, საფრ. და იტალ. საზღვარზე. სიმაღლე 2188 *მ*. გადადის საავტ. გზა იზერის ხეობიდან (საფრანგეთი) დორა-ბალტეის ხეობაში (იტალია).

სენგორი (Senghor) ლეოპოლდ სედარ (დ. 9. X. 1906, ჟოალი, სენეგალი), სენეგალის სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი, პოეტი. დაამთავრა სორბონის უნტის ფილოლ. ფაკ-ტი (1933). 1939—40 მსახურობდა საფრ. არმიაში; მონაწილეობდა საფრ. წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1936—48 საფრ. სოციალ. პარტიის წევრი. 1948 სენეგალის დემოკრ. ბლოკის პარტიის დამაარსებელი (1959 გარდაიქმნა სენეგალის პროგრ. კავშირად, სპკ). 1959—60 სპკ-ის გენ. მდივანი. 1945—60 მინისტრის პოსტები ეკავა საფრანგეთში. 1959 წ. 4 აპრ-იდან 1960 წ. 20 აგვ-მდე მალის ფედერაციის ფედერალური ასამბლეის თავ-რე. 1960 სექტ-იდან 1980 დეკ-მდე სენეგალის რესპ. პრეზიდენტი. ამავე დროს 1962 დეკ. — 1970 თებ. მთავრობის მეთაური. ავტორია ლექსთა კრებ. „მწუხრის სიმღერები“ (1945), „სიმღერები ნატისათვის“ (1949), „ლექსები“ (1964), პოეტური ციკლის „შავი მსხვერპლი“ (1948), დრამ. პოემისა „ჩაკა“ (1949). 1948 გამოსცა „ახალი ზანგური და მალაგასიური პოეზიის ანთოლოგია“.

ს. არის პარიზის, სტრასბურგის და სხვა უნ-ტების მეცნ. საპატიო დოქტორი, მორალურ და პოლიტ. მეცნ. საფრ. აკად. უცხოელი წევრი (1969).

ლიტ.: Современные литературы Африки, М., 1973—74; Guibert A, L. S. Senghor, P., 1962(«Poètes d'aujourd'hui»).

სენ-გოტარდი (ფრანგ. Saint-Gothard, გერმ. Sankt Gothard), უღელტეხილი ლეპონტის ალპებში, შვეიცარიაში. სიმაღლე 2108 *მ*. ს.-გ-ზე გადადის საავტ. გზა, ხოლო მის ქვეშ გაჭრილია (1872—81) გვირაბი (სიგრძე 15 *კმ*), რ-შიც გადის ციურიხ—მილანის სარკინიგზო ხაზი. 1980 ს.-გ-ზე გაიხსნა მსოფლიოში უდიდესი საავტ. გვირაბი (სიგრძე 16,9 *კმ*, გამტარუნარიანობა 1800 ავტომობილი *სთ*-ში).

ა. სუვოროვის შვეიცარიაში ლაშქრობის დროს [1799 წ. 13 (24) სექტ.] რუს. ჯარმა (დაახლ. 20 ათ. კაცი), რ-იც იტალიიდან შვეიცარიაში მიემართებოდა, ბრძოლით გადალახა ს.-გ. მიუდგომელი პოზიციები უღელტეხილთან და მის ზურგში სოფ. ურზერნთან ეკავა ფრანგთა 2 ბრიგადას. ა. სუვოროვმა ს—გ-ის შემოვლით გაგზავნა 6-ათასიანი რაზმი, ხოლო მთავარი ძალებით (სამ კოლონად) შეუტია ს.-გ-ს ფრონტიდან და ორივე ფლანგიდან. გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დღის ბოლოს რუს. ჯარი უღელტეხილს დაეუფლა. ბრძოლა ს.-გ-თან მაღალმთიან პირობებში წარმატებითი აქტ. საბრძოლო მოქმედების მაგალითია.

სენდაი, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ.-აღმ. ნაწილში. მიაგის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 665 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური და სარკინიგზო კვანძი. ოუს (ტოჰოკუს) ეკონ. რ-ნის ერთ-ერთი ცენტრი. ნავთობგადასამუშ., ელექტროენერგეტ., მანქანათსამ., ხის დასამუშ. საწარმოები, მეტალ., საფეიქრო და კვების მრეწველობა. ს-ს მიდამოებში იღებენ ქვანახშირს. ს-ში არის უნ-ტი.

სენდბერგი (Sandburg) კარლ (6. I. 1878, გეილზბერგი, ილინოისის შტ.,—22. VII. 1967, ფლეტ-როკი, ჩრდ. კაროლინის შტ.), ამერიკელი პოეტი. განაგრძობდა უ. *უიტმენის* ტრადიციებს. მიჩნეულია ამერ. სახ. პოეტად. ს-ის მნიშვნელოვანი პოეტური კრებულებია „ჩიკაგოს ლექსები“ (1916), „ბოლი და ფოლადი“ (1920), „დილა მშვიდობისა, ამერიკავ!“ (1928), „ხალხი, დიახ!“ (1936), „თაფლი და მარილი“ (1963) და სხვ. ს-მა აღადგინა *აბოლიციონიზმის* ეპოქის პეროიკული ტრადიციები (ეპოპეა „აბრაამ ლინკოლნი“, ტ. 1—6, 1926—39). შეაგროვა ამერ. ხალხ. თქმულებები და სიმღერები (კრებ. „ამერიკული სიმღერების კიდობანი“, 1927). წერდა აგრეთვე საბავშვო ლექსებსა და ზღაპრებს. 1959 იყო სსრკ-ში.

თხზ.: Избранная лирика, М., 1975; ლინკოლნი, თბ., 1966.

ლიტ.: История американской литературы, ч. 2, М., 1971.

სენ-დენი (Saint-Denis), საფრანგეთის სამფლობელო რეიუნიონის მთავარი ქალაქი და ადმ. ცენტრი. 129 ათ. მცხ. (1981). რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურ პორ-დე-გალეს. შაქრის, რომის წარმოება. ბუნებისმეტყველების ისტ. და

ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმები. დაარსდა 1671.

სენ-დენი (Saint-Denis), ქალაქი საფრანგეთში, სენ-სენ-დენის დეპარტამენტში, მდ. სენის ნაპირზე. პარიზის ჩრდ. გარეუბანი. 97 ათ. მცხ. (1975). მეტალ., მანქანათსაშ. (მ. შ. დიდი საავტ., საავიაციო ქ-ნები, ჩარხებისა და სამდ. გემების წარმოება), ქიმ., მინის, კვების მრეწველობა.

არქიტ. ძეგლები: ს-დ-ის სააბატოს ეკლესია, რ-საც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გოტიკური ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის (1137—44, არქიტ. ა. დე მონტრეი და სხვ., რესტავრაცია — XVIII—XX სს; XIII ს-იდან საფრ. მეფეთა სამარხია); თანამედროვე საცხოვრ. კომპლექსები (1946—62, არქიტ. ა. ლიურსა). მუზეუმი.

სენე, სენა, სენცა, სარძიე, საციო, რძის პროდუქტების დასამზადებელი და შესანახი სამეურნეო სათავსი. მისი ტრად. ფორმები შემონახულია საქართვ. მთიანი რ-ნების საცხოვრ. კომპლექსებში (ხევსურეთი, ხევი, აჭარა, მესხეთი).

ლიტ.: ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967; შ ა მ ი ლ ა ძ ე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 137—138; ჩ ი ტ ა ი ა გ., ხევსურული სახლის „სენე", „ნანები", 1947, [ტ.] 1, გვ. 151—162. *მ. მაკალათია.*

სენეები, სოფელი ბოლნისის რ-ნში (აკაურთის სოფსაბჭო), მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 860 *მ*, ბოლნისიდან 13 *კმ*. დარბაზის მეკარტოფილეობა-მერძეეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. აკაურთაში (4 *კმ*).

სენებიე (Senebier) ჟან (6. V. 1742, ჟენევა, — 22. VII. 1809, იქვე), შვეიცარიელი ბუნებისმეტყველი. მისი ძირითადი ნაშრომები ეხება მცენარეთა ფიზიოლ. საკითხებს, უმთავრესად ფოტოსინთეზის შესწავლას. ს-მ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ მწვანე მცენარეებში ნახშირბადის წყაროა ნახშირორჟანგი, რ-საც იგი სინათლის გაელენით ითვისებს. მან შემოიღო ტერმ. „მცენარეთა ფიზიოლოგია" (1791) და დაწერა პირველი სახელმძღვანელო (1800) ამ დისციპლინაში. ექსპერ. საფუძველი ჩაუყარა ფოტოქიმიას. აქვს ნაშრომები მეტეოროლ., ფიზ. და ქიმ. დარგებში.

სენეგა (Polygala senega), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე წიწიბნუროსებრთა ოჯახისა. მისი ღეროების სიმაღლე 25 *სმ* აღწევს. ლანცეტა ფოთლები და მტევნისებრ ყვავილედებად შეკრებილი მომწვანო ან თეთრი წვრილი ყვავილები აქვს. იზრდება ჩრდ. ამერ. ზომიერი სარტყლის ტყეებში. სამკურნ. მცენარეა. ფესვი შეიცავს საპონინებს (უმთავრესად სენეგინს), ეთეროვან ზეთს, ფისებს. მის ნაყენს და ნახარშს ამოსახველებელ საშუალებად ხმარობენ.

სენეგალი (Senegal), მდინარე დას. აფრიკაში (გვინეის, მალის, სენეგალის, მავრიტანიის ტერიტორიაზე). სათავე აქვს ფუტა-ჯალონის მთის მასივზე, სადაც ეწოდება ბაფინგი. მდ. ბაკოის შეერთების შემდეგ ეწოდება ს. სიგრძე მდ. ბაფინგის სათავიდან 1430 *კმ*, აუზის ფართ. 441 ათ. *კმ*². ზემოთში ჭორომიანია, ქმნის ჩანჩქერებს. შემდეგ ვაკეზე და ქმნის დელტას (ფართ. დაახლ. 1500 *კმ*²). წყლის ხარჯი მერყეობს 5 *მ*³/*წმ*-იდან (მაისი) 2000—5000 *მ*³/*წმ*-მდე (აგვ.-სექტ.). წყალდიდობის დროს სანაოსნოა ქ. კაესამდე (888 *კმ*). ს-ზეა ჰესი. იყენებენ სარწყავად. თევზჭერა. შესართავთან არის ნავსადგური სენ-ლუი, ნაპირებზე — ქ-ები ბაფულაბე, ბაკელი.

სენეგალი (Sénégal), სენეგალის რესპუბლიკა (République du Sénégal), სახელმწიფო დას. აფრიკაში, ატლანტის ოკ. სანაპიროზე. ფართ. 196,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 5,8 მლნ. კაცი (1981). დედაქალაქი—დაკარი. ოფიც. ენა—ფრანგული; გავრცელებულია ენები ვოლოფი და ფულბე. ეროვნ. დღესასწაულია 4 აპრ. — დამოუკიდებლობის დღე (1960; ოფიციალურად დამოუკიდებლობა ამავე წლის 20 აგვ. გამოცხადდა). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია აფრ. ფრანკი. ადმინისტრაციულად ს. იყოფა 10 ოლქად.

ს. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1963 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნ. კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), რ-საც ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით), რ-იც ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიცაა. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მთავრობა.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ტერიტ. დიდი ნაწილი ტალღოვანი ვაკეა. სამხრ.-აღმ-ით აღმართულია შთენილი მასივები (სიმაღლე 500 *მ*-მდე). მწვანე კონცხის ნ.-კ-ის რ-ნში არის ჩამქრალი ვულკანები. სანაპირო დაკარის ჩრდით მოსწორებულია, სამხრ-ით დანაწევრებულია მდინარეთა ესტუარებით. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ფოსფორიტები, ალუმინფოსფატები, რკინის მადანი, ილმენიტი, რუტილი, ცირკონიუმი, ქვამარილი, ბოქსიტი. შელფურ ზონაში ნავთობის საბადოებია.

ჰავა სუბეკვატორულია. იანვ. საშ. ტემპრაა 23°C, ივლ. 28°C. ნალექები ჩრდით 250—300 *მმ* წელიწადში, სამხრ-ით — დაახლ. 1500 *მმ*. მთავარი მდ-ებია სენეგალი, კაზამანსი, გამბია (ზემო დინება). ქვეყნის ჩრდ. ნაწილში, მოწითალო-მურა ნიადაგებზე, გაუდაბნოებული სავანაა, სამხრ-ით აქა-იქ ჩნდება ხეები (აკაცია, ბაობაბი), უფრო სამხრ-ით, წითელ-მურა ნიადაგებზე, განვითარებულია ტიპური სავანა, მდ. კაზამანსის ქვემო დინებაში შერეული ფოთოლმცვივან-მარადმწვანე ტყეა. სავანაში შემორჩენილია ანტილოპები, ჩრდ. განაპირა რ-ნებში და ეროვნ. პარკებში — მტაცებლები—ტურა, აფთარი, ჯიქი, ავაზა. ბეერია მღრღნელი, ფრინველი, ქვეწარმავალი, მწერი. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით (თინუსი, მაკრელი, სარდინი, ქორჭილა და სხვ.). გვხვდება ზვიგენი.

მოსახლეობა. ს-ის მოსახლ. უმრავლესობას შეადგენენ ატლანტურ ენათა ოჯახში შემავალი ხალხები — ვოლოფი, ფულბე, სერერი, დიოლა და სხვ. ცხოვრობენ მანდე ენებზე მოლაპარაკე ხალხები (ბამბარა, მალინკე, სონინკე). აგრეთვე არაბები, ევროპელები (ძირითადად ფრანგები) და სხვ. რელიგიით უმრავლესობა მუსლიმანია, არიან ქრისტიანები (კათოლიკეები) და ადგილ. ტრად. რწმენათა მიმდევრები.


ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 75% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. სიმჭიდროვე სანაპირო ზოლში 50—100 კაცამდეა 1 *კმ*²-ზე, აღმ. ნაწილში — 5 კაცამდე. მოსახლ. დაახლ. 30% ქალაქში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია: დაკარი (დაახლ. 1 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად, 1981), კაოლაკი, თიესი, სენ-ლუი.

ისტორიული ნარკვევი. ს-ის ტერიტორიაზე XV ს-ში პორტუგალიელები მოვიდნენ, მათ აქედან გაჰქონდათ სპილოს ძვალი, გუმიარაბიკი, ოქროს ქვიშა, XVI ს-იდან კი დაიწყეს მონებით ვაჭრობა. XVI—XVII სს-ში ს-ის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრძოლა ვაჭრობის მონოპოლიისათვის პორტუგალიას, ნიდერლანდს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. 1633 ფრანგებმა დააარსეს სენეგალის კომპანია, 1638 კი მდ. სენეგალის შესართავთან — ფაქტორია (1659-იდან — ქ. სენ-ლუი), რ-იც შემდგომი კოლონ. ექსპედიციების დასაყრდენი პუნქტი გახდა. 1895 ს-ის ტერიტ. საფრ. დას. აფრ. შემადგენლობაში შევიდა, დაკარი კი მისი ადმ. ცენტრი გახდა (1904-იდან). ს-ის ეკონომიკა ცალმხრივად ვითარდებოდა. XIX ს. დასასრულს აშენდა პირველი რკინიგზები, ერთგვარად განვითარდა მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობა, გაიზარდა დაქირავებული შრომით დაკავებულ პირთა რიცხვი, ჩამოყალიბდა ეროვნ. ინტელიგენცია. ქ-ებში: დაკარში, სენ-ლუიში, რიუფისკსა და კ. გორეზე შეიქმნა „სრულუფლებიანი კომუნები". კუნძულის მცხოვრებლები საფრ. მოქალაქეებად ითვლებოდნენ და საფრ. პარლამენტში ერთი დეპუტატის არჩევის უფლებით სარგებლობდნენ, ს-ის დანარჩენ მოსახლეობას პოლიტ. უფლებები წართმეული ჰქონდა. I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ შეიქმნა პირველი პოლიტ. ორგანიზაციები; სტიქიური ანტიკოლონ. გამოსვლების გვერდით ეწყობოდა პირველი გაფიცვები.



სენეგალის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

II მსოფლიო ომის (1939—45) წლებში ს., და განსაკუთრებით დაკარი, „მებრძოლი საფრანგეთის" ერთ-ერთი საყრდენი ბაზა და მოკავშირეთა სამხ.-საზღვ. ბაზა იყო. ომის შემდეგ დაიწყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აღმავლობა. ყველაზე გავლენიანი პოლიტ. პარტია გახდა 1948 შექმნილი ს-ის დემოკრ. ბლოკი, რ-ის სათავეში ლ. ს. *სენგორი* იდგა. 1956 სხვა პარტიებსა და პოლიტ. ჯგუფებთან გაერთიანების შემდეგ შეიქმნა ს-ის სახ. ბლოკი, მის საფუძველზე კი 1959 — ს-ის პროგრ. კავშირი (სპკ, 1976 დეკ-იდან ეწოდება ს-ის სოციალ. პარტია, სსპ — მმართველი პარტია). 1957 შეიქმნა ს-ის დამოუკიდებლობის აფრ. პარტია (1960-იდან არალეგალურია), რ-მაც თავის იდეოლოგიურ საფუძვლად მარქსიზმ-ლენინიზმი გამოაცხადა. 1958 ს. გახდა ავტონ. სახელმწიფო საფრ. გაერთიანების შემადგენლობაში. 1960 წ. 20 აგვ. ს. დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. იგი დარჩა საფრ. გაერთიანების წევრად და საფრანგეთთან დადებული ყველა შეთანხმება აღიარა. 1960წ. 28 სექტ. ს. გაეროში მიიღეს. 1963 მარტში რეფერენდუმის შედეგად ახ. კონსტიტუცია დაამტკიცეს. მმართველი პარტიის სსპ-ის ოფიც. იდეოლოგიად გამოცხადებულია „აფრიკული სოციალიზმი", რ-იც პირველ ადგილზე აყენებს აფრ. საზ-ბის თვითმყოფადობას. საგარეო პოლიტიკაში ს. დგას „მიუმხრობლობისა და დიალოგის" პოზიციაზე. ის მჭიდროდ თანამშრომლობს საფრანგეთთან და დას. სხვა სახელმწიფოებთან, არის საერთო აფრიკა-მავრიკის ორგანიზაციის, აგრეთვე დას. აფრ. ეკონ. გაერთიანების წევრი (1974 წ. 1 იანვრიდან). სსრკ-თან


სენეგალი
მავრიტანია
მალი
გვინეა
გვინეა-ბისაუ
სენ-ლუი
დაგანა
ლუგა
ლინგერე
მაგამი
დარა
ტუბა
თიესი
მბაკე
დიურბელი
დაკარი
ჭბური
გინგინეო
ბაობაბი
კოლდა
ბანკული
ბამბარა
ბაკელი
კაესი
ბალა
ბანგანგა
ველინგარა
ტამბაკუნდა
ბიშარი
ბათი
ბ ა მ ბ უ ხ ი
ბ ა ო ლ ი
ბ ი ს ა უ
ბ ა ფ უ ლ ა ბ ე
ბ ე ი ლ ი
ბ ა ხ ი
ბ ა ო ბ ა ბ ი
ბ ა ნ ი
ბ ა ნ ი ნ ი
ბ ა ნ ი ნ ი
ბ ა ნ ი



სენეგალი. სოფელი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.



სენეგალი. დაკარი. დამოუკიდებლობის მოედანი.



სენეკა.

დიპლ. ურთიერთობა დამყარდა 1962 წ. 14 ივნისს.

1982 წ. 1 თებ. შეიქმნა სენეგამბიის კონფედერაცია. ხელშეკრულების თანახმად ს. და გამბია ინარჩუნებენ რა თავიანთ სუვერენიტეტს, გაატარებენ ერთიან პოლიტიკას დიპლ., თავდაცვის, უშიშროების, ეკონ., ვალუტისა და ტელეკომუნიკაციის სფეროში.

ეკონომიკა. ს. აგრ. ქვეყანაა, რ-ის ეკონომიკა დამყარებულია უმთავრესად არაქისისა და მისი გადამუშაების პროდუქტების საექსპორტო წარმოებაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადების (1960) შემდეგ ს-ის მთავრობამ ორიენტაცია აიღო დასავლეთის მონოპ. კერძო და სახელმწ. კაპიტალის თანამშრომლობაზე, რაც ამცირებს ეროვნ. ეკონ. განვითარებას და აძლიერებს უცხ. კაპიტალის პოზიციებს.

საერთო ეროვნ. პროდუქტის დაახლ. 30%-ს იძლევა სოფ. მეურნეობა, რ-ის მთავარი დარგია მიწათმოქმედება. დამუშავებული ფართობის დაახლ. 20% უჭირავს არაქისს (1091 ათ. ტ, 1982/83). შიგა მოხმარებისათვის მოჰყავთ (ათ. ტ, 1982/83): ფეტვი და სორგო—585, ბრინჯი—105, სიმინდი — 82, ბამბა — 47. 1981 ს-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი —2,3, ცხვარი და თხა — 3,2, ღორი — 0,3, ფრინველი — 9 მლნ. ფრთა. განვითარებულია თევზჭერა (380 ათ. ტ, 1980).

იღებენ ფოსფორიტებს, ქვამარილს, ნავთობს. ელექტროენერგიის წარმოების (635,8 მლნ. *კვტ. სთ*, 1981) დიდ ნაწილს იძლევა თესები. დამუშავებითი მრეწვ. თითქმის ყველა საწარმო მწვანე კონცხის ნ.-კ-ზეა. არის კვების (უმთავრესად ზეთსახდელი, ლუდის, საფქვავი), საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ცემენტის, ნავთობგადასამუშ., ავეჯის და სხვ. საწარმოები. ვითარდება ლითონდასამუშ. და ქიმ. მრეწველობა. დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს შინასარეწები.

რკინიგზის სიგრძეა დაახლ. 1,4 ათ. *კმ*², საავტ. გზებისა—14,5 ათ. *კმ*, აქედან დაახლ. 3,5 ათ. *კმ* მოასფალტებულია (1982). 1980 ავტოპარკში იყო 120 ათ. ავტომობილი. სანაოსნოა მდ. სენეგალი. მთავარი საზღვ. ნავსადგურია დაკარი (ტვირთბრუნვა 2 მლნ. ტ, 1982). დაკარის მახლობლად არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი იოფი.

1982 ექსპორტმა შეადგინა 150 მლრდ. აფრ. ფრანკი, იმპორტმა — 248 მლრდ. გააქვთ არაქისი, არაქისის ზეთი, თევზი, ფოსფორიტები და სხვ. შეაქვთ სურსათი, ნავთობი, ნავთობპროდუქტები, სამრეწვ. მოწყობილობა და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: ექსპორტში—საფრანგეთი, ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები, მალი, სპილოს ძვლის ნაპირი, მავრიტანია; იმპორტში — საფრანგეთი, აშშ.

1982 ს-ში იმოგზაურა 250 ათასმა უცხოელმა ტურისტმა.

განათლება. ს-ში სავალდებულო დაწყ. განათლება პრაქტიკულად არ ხორციელდება. დაწყ. სკოლა 6-წლიანი (2—2—2). საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა ორი ტიპისაა: კოლეჯები (4 წელი) და ლიცეუმები (7 წელი). დაწყ. სკოლის ბაზაზე მუშაობს 3-წლიანი პროფსკოლები, 4-წლიანი ტექ. კოლეჯები და 7-წლიანი ტექ. ლიცეუმები; 1980-თვის დაწყ. სკოლაში სწავლობდა 280 ათ-მდე მოსწ., საშ. სასწ. დაწესებულებებში 60 ათ-მდე მოსწ., პედ. კოლეჯებში—650 ათ-ზე მეტი მოსწავლე. დაკარში არის უნ-ტი (დაარსდა 1949), რ-ის შემადგენლობაში შედის სამეცნ.-კვლ. დაწესებულებათა უმრავლესობა. დიდი ბ-კაა უნ-ტთან (დაარსდა 1952; 184,8 ათ-ზე მეტი ტ.).

ს-ში გამოდის რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი. ს-ის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო დაარსდა 1959 დაკარში. რადიომაუწყებლობა და ტელევიზია—სახელმწიფოა. დაარსდა 1973 დაკარში.

კულტურა. ს-ის ხალხებს აქვთ ჟანრობრივად მდიდარი ფოლკლორი და ჰყავთ პროფ. მთქმელები—მუსიკოსები, გრიოტები. წერილობითი ლიტ-რა ფრანგ. ენაზე ვითარდება. ს-ის ლიტ-რის დასაბამი დაკავშირებულია XX ს. 30-იან წლებში პარიზში გაზეთ „ეტიუდიან ნუარის" ირგვლივ შემოკრებილი შავკანიანი ინტელიგენციის მოღვაწეობასთან. აქ ჩაეყარა საფუძველი ნეგრიტიუდის ფილოს.-ესთეტ. კონცეფციას, რ-იც ლ. ს. *სენგორის* სახელთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ს-ის პროზის ფუძემდებლის უსმან სოსე დიოპის (დ. 1911) თხზულებები. ლიტ-რის ინტენს. განვითარება დაიწყო II მსოფლიო ომის შემდეგ. 60-იანი წლებიდან შეინიშნება ანტიკოლონ. სულისკვეთების ორი მიმდინარეობა: ზომიერი (ლ. სენგორი; ბ. დიოპი, დ. 1906; შ. კანე) და რევ. (დ. დიოპი, 1927—60; უ. სემბენი, დ. 1923).

შუა საუკ. მცირერიცხოვან ძეგლთაგან (XII—XIV სს.) აღსანიშნავია: მიწაყრილის სახის მრგვალი სამაროვნები, საიუველირო ნაწარმი და მარტივად შემკული კერამიკა. საცხოვრებლის რამდენიმე ტიპია: ტოტებით ნაგები, ბალახისსახურავიანი მრგვალი ქოხები, ზოგჯერ შელესილი (ვოლოფის, მანდეს, სერერის ხალხები), ოთხფერდსახურავიანი მართკუთხა თიხატკეპნილი ქოხები (ვოლოფის, დიოლას, მანდეს და სხვ. ხალხები) და სხვ. თიხატკეპნილით ნაგებ მეჩეთებს ნალისებრი თაღები აქვს (მეჩეთი ტუბაში, 1931—63). დაკარის თანამედროვე განაშენიანება ფრანგ. ფუნქციონალიზმის ხასიათისაა. ქანდაკება და ფერწერა ს-ში ვითარდება XX ს. შუა ხანებიდან. წამყვანია დაკარის ფერწერის სკოლა, რ-იც წარმოიშვა ხელოვნ. სკოლის საფუძველზე დაკარში. განვითარებულია ტრად. მხატვრული ხელოსნობის დარგები: ხისა და სპილოს ძვლის ნიღბები, ხეზე კვეთა, მეთუნეობა, წვნა, ოქროს ფილიგრანული ნივთები.

პირველი ცდა აფრ. თეატრის შექმნისა იყო XX ს. 30-იან წლებში დაკარში. 50-იან წლებში დას. აფრიკაში დაიწყო მოყვარულთა დრამ. კოლექტივების ინტენს. განვითარება. 1966 დაკარში ჩატარდა აფრ. ხელოვნ. I საერთაშ. ფესტივალი. 1965 ტროპ. აფრიკაში შეიქმნა პირველი პროფ. ეროვნ. დასი (ხელმძღვ. მორის სონარ სენგორი). აშენდა სათეატრო შენობა — „დანიელ სორანოს თეატრი" (1200 ადგილით).

ეროვნ. კინემატოგრაფიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ფილმმა „აფრიკა სენაზე" (1955, რეჟ. პ. ს. ვიეირა). აღსანიშნავია ფილმები „და აღარ იყო თოვლი..." (1965, რეჟ. ბ. სამბ მაკარამი), დოკუმენტური ფილმი „შავი აფრიკა სტადიონის ბილიკზე" (1965; რეჟ. ი. დიანი) და სხვ. მნიშვნელოვანი სოც.-პოლიტ. პრობლემებია დასმული რეჟ. უ. სემბენის ფილმებში: „ადამიანი ურიკით" (1963). „ემიტაი" (1971), „ჰალა" (1974) და სხვ. ს-ში ყოველწლიურად ათამდე მხატვრული ფილმი გამოდის, მუშაობს 60-ზე მეტი კინოთეატრი.

ლიტ.: Новейшая история Африки, 2 изд., М., 1968; Субботин В. А., Колонии Франции в 1870—1918 гг., М., 1973; Литература Сенегала, [сб.]: Литературы Африки, М., 1979.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 529.

სენეკა ლუციუს ანეუს (Lucius Annaeus Seneca) [დაახლ. ძვ. წ. 4, კორდუბა (კორდოვა), — ახ. წ. 65, რომი], რომაელი ფილოსოფოსი და დრამატურგი, პოლიტიკური მოღვაწე. მისი პანთეიზმი ეწინააღმდეგება რელიგ. მოძღვრების მონოთეისტურ იდეებს. ს-ს მიხედვით, უზენაესი ღმერთია შემოქმედი გონი. სულის ჭეშმარიტი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ სხეულის გარეშე, რ-იც ბოროტების სათავედაა მიჩნეული. ს-ს მოძღვრებაში ადამიანის მიზნად დასახულია აფექტებისაგან განთავისუფლება. მისი აზრით, ღვთაებრივი შეწყალების გარეშე შეუძლებელია განწმენდა და ღმერთამდე ამაღლება. ს. იზიარებს ძვ. სტოელთა თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ სამყარო პერიოდულად ინთქმება ხანძარში, აგრეთვე პროვიდენციულ-ფატალისტურ მოძღვრებას ღმერთის, განგების, ბედისწერისა და ბუნების კანონების შესახებ, რ-ებიც ს-თვის ერთმანეთის სინონიმებია. იგი იცავს ზოგადსტოურ კოსმოპოლიტიზმს, ამქვეყნიურ სახელმწიფოს კოსმიურის ნაწილად მიიჩნევს და ამტკიცებს მის ბუნებრივ აუცილებლობას. ს. ქადაგებდა ადამიანთა საყოველთაო თანასწორობას (მონათა ჩათვლით).

ს-ს ლიტ. შემოქმედებიდან აღსანიშნავია სატირა იმპ. კლავდიუსის გარდაცვალების გამო „გაკვახება". მისი სახელით ჩვენამდე მოღწეული ტრაგედიებიდან მნიშვნელოვანია „მედეა", „ოიდიპოსი", „თიესტე", „ფედრა", „გაშმაგებული ჰერკულესი", „აგამემნონი", „ტროელი ქალები", „ფინიკიელი დიაცები", „ეტნელი ჰერკულესი", „ოქტავია". ამ ტრაგედიებმა დიდი გავლენა მოახდინა შექსპირსა და ფრანგ კლასიცისტებზე (პ. კორნელი, ჟ. რასინი), ხოლო ფილოს. ტრაქტატებმა „ნუგეშისცემანი მარციუსისადმი", „რიცხვისათვის" და სხვ. — მემუარულ-ეთიკური ჟანრის მწერლებზე (მ. მონტენი).

ლიტ.: История римской литературы, т. 2, М., 1962.

ა. ურუშაძე. მ. მაჭავარიანი.

სენეკა (საკ. სახელწ. — ტსონოდოვაკა — დიდი მთის ხალხი), იროკეზთა შემადგენლობაში შემავალი ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ტომი.

სენენმუტი (ძვ. წ. XVI—XV სს.), ძვ. ეგვიპტელი არქიტექტორი. მუშაობდა თებეში. ააშენა დედოფალ ჰატშეფსუტის ტაძარი *დაირ-ელ-ბაჰრიში*. ხელმძღვანელობდა სამშენებლო სამუშაოებს ამონ-რასა და ქალღმერთ მუტის ტაძრებში *კარნაკში*, აგრეთვე *ლუქსორისა* და ჰერმონთისის ტაძრებში.

სენეტი (Sennett) მაკ [ნამდვ. სახელი და გვარი — მაიკლ სინოტი (Sinnott)] (17. I. 1880, რიჩმონდი, ონტარიო,—5. XI. 1960, იქვე), ამერიკელი რეჟისორი, მსახიობი. 1902-იდან ნიუ-იორკის თეატრების კომედიური მსახიობი, მომღერალი და მოცეკვავე. 1908-იდან მუშაობდა კინოში როგორც მსახიობი, 1910-იდან კინორეჟისორი. 1912 შექმნა საკუთარი კინოკომპანია „კისტოუნი". ს. ამერ. კინოკომედიის ფუძემდებელია. 1916-იდან ძირითადად მუშაობდა როგორც პროდიუსერი.

სენეშალი (ფრანგ. sénéchal < გვიანდ. ლათ. siniscalcus — უფროსი მსახური), 1. V—VIII სს. ფრანკთა სახელმწიფოში მეფის სასახლის მთავარი მმართველი. VIII ს-იდან ასრულებდა სასამართლო და სამხ. ფუნქციებს. ს-ები ჰყავდათ დიდ სენიორებსაც. 2. XIII ს. სამხრ. და დას. საფრანგეთში მეფის მოხელეები, სასამართლო ადმ. ოლქის (სასენეშალოს) უფროსი, რ-საც ფართო სასამართლო, ადმ., ფინანს. და სამხ. უფლებები ჰქონდა. ნიშნავდნენ უმთავრესად ადგილ. ფეოდ. დიდკაცობის წარმომადგენლებისაგან. XVI ს-იდან ს-ს მხოლოდ სამხ. ფუნქციები შერჩა. საფრ. დიდი რევ. დროს ს-ის თანამდებობა გაუქმდა. ჩრდ. საფრანგეთში მას შეესაბამებოდა ბაი.

სენ-ვენანი (Saint-Venant) ბარედე სენ-ვენან ადემარ ჟან კლოდ (23. VIII. 1797, ვილიე-ან-ბრი, დეპარტ. სენა და მარნა, — 6. I. 1886, სენტ-უანი, დეპარტ. ლუარი და შერი), ფრანგი მეცნიერი მექანიკის დარგში. პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1868). პარიზის პოლიტექ. სკოლის დამთავრების (1816) შემდეგ მუშაობდა ინჟინრად, კითხულობდა ლექციებს პარიზში ხიდებისა და გზების სკოლაში, აგრეთვე ვერსალის აგრონ. ინ-ტში. მისი ძირითადი შრომები ეხება დრეკადობის

თეორიას, მასალათა გამძლეობას, ჰიდრავლიკასა და ჰიდროდინამიკას.

სენი, 1. ხურდა ფული იაპონიაში, უდრის 1/100 *იენს*. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ იენის მკვეთრი გაუფასურების გამო ს-ს იყენებენ როგორც საანგარიშო ერთეულს. 2. ხურდა მონეტა ინდონეზიასა და კამპუჩიაში; უდრის შესაბამისად 1/100 *რუპიასა* და 1/100 *რიელს*.

სენიავინები, რუს აზნაურთა გვარი, რ-იდანაც გამოვიდა რამდენიმე ცნობილი სამხ.-საზღვ. მოღვაწე. ნაუმ აკიმის ძე [დაახლ. 1680 — 24. V (4. VI). 1738], ვიცე-ადმირალი (1727). 1698 მსახურობდა პრეობრაჟენსკოეს პოლკში, შემდეგ — ბალტიის ფლოტში. თავი გამოირინა ჩრდილოეთის ომში (1700—21). 1713 იყო სახაზო ხომალდის მეთაური. 1719 ეზელის ბრძოლაში შვედების 3 ხომალდი დაატყვევა. 1721-იდან საადმირალო კოლეგიის წევრი. 1728—32 გალერების ფლოტს სარდლობდა. რუს.-ოსმ. ომის (1735—39) დროს, 1737 სექტ.-იდან, დნეპრის ფლოტილიის სარდალი. დიმიტრი ნიკოლოზის ძე [6 (17). VIII. 1763, სოფ. კომლევო, ახლანდ. ბოროვსკის რ-ნი, კალუგის ოლქი,— 5 (17). IV. 1831], რუსი საზღვაო მხედართმთავარი, გენ.-ადიუტანტი (1825), ადმირალი (1826). დაამთავრა საზღვაო კადეტთა კორპუსი (1780). 1783-იდან მსახურობდა შავი ზღვის ფლოტში. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. ომში (1787—91), *უშაკოვის ლაშქრობაში* (1798—1800). 1798 დაიპყრო საფრ. ციხესიმაგრე წმ. მავრას კ-ზე, მონაწილეობდა კორფუს იერიშში. 1806 რუს. ფლოტს ხელმძღვანელობდა ადრიატიკის ზღვაში. 1807 დარდანელის და ათონის ბრძოლებში ოსმ. ფლოტის განადგურებით უზრუნველყო რუს. ფლოტის განუყოფელი ბატონობა არქიპელაგზე. ინგლ.-რუს. ომის (1807—12) დროს ინგლისელებთან ს-ის მოლაპარაკებას მოჰყვა რუს. ესკადრის ინტერნირება. 1811 ს. დანიშნეს რეველის პორტის უფროსად, ხოლო 1813 გადააყენეს. 1825 რუს.-ოსმ. ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით ს. დააბრუნეს და ბალტიის ფლოტის სარდლად დანიშნეს. მისმა დემოკრ. შეხედულებებმა დეკაბრისტების ყურადღება მიიპყრო. ს-ის სახელი ეწოდა რუს. და საბჭ. ფლოტის საბრძოლო ხომალდებს.

სენილური ფსიქოზი, მოხუცებულობის ფსიქოზი, ფსიქიკურ დაავადებათა ჯგუფი, რ-იც მოიცავს მოხუცებულობით ჭკუასუსტობას და ე. წ. გვიანდელი ასაკის ფუნქციურ ფსიქოზებს. მოხუცებულობითი ჭკუასუსტობა ფსიქ. მოქმედების პროგრ. დარღვევაა, რასაც იწვევს თავის ტვინის ატროფიული ცვლილებები. დაავადება, როგორც წესი, 70—80 წლის ასაკში *პიროვნების* ცვლილებით (გაუხეშება, გულცივობა, ინტერესების დაკარგვა და სხვ.) იწყება, მოგვიანებით ირღვევა მეხსიერებაც; თანდათანობით ქრება წარმოდგენა სინამდვილეზე, თავისთავზე. დაავადება ჩვეულებრივ 3—5 წელს გრძელდება. დასაწყისში აღინიშნება ბოდვა, ჰალუცინაციები, გუნება-განწყობის დარღვევა, ბოლო სტადიაში ამ მოვლენებს ემატება ფიზ. მარაზმი, რაც ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება. გვიანდ. ასაკის ფუნქციური ფსიქოზი ახასიათებს მხოლოდ მოხუცებულობის ასაკს და არ არის დაკავშირებული თავის ტვინის ისეთ ორგ. დაზიანებასთან, რ-იც ჭკუასუსტობით მთავრდება. მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების ხასიათსა და განვითარების სტადიაზე: ფსიქოტროპული საშუალებანი, ავადმყოფის მოვლა და მასზე მეთვალყურეობა.

სენიორი (ფრანგ. seigneur < ლათ. senior — უფროსი), სენიორიის მესაკუთრე, ფეოდალი. ჩვეულებრივ, ს. ვასალური იერარქიის წევრი იყო (იხ. *ვასალიტეტი*). ამიტომ ს. ზოგჯერ ვასალთა ჯგუფის ბატონის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ტერიტ. უზენაეს ს-ს (მეფე, ჰერცოგი) სიუზერენი ეწოდებოდა.

სენიორია (ფრანგ. seigneurie), ფეოდალური მამული საფრანგეთსა და დას. ევროპის სხვა ქვეყნებში. მემამულე (სენიორი) იყო ს-ში შემავალი ყველა მიწის უზენაესი მესაკუთრე, მისი უფლებები ვრცელდებოდა დამოკიდებული გლეხის პიროვნებაზეც. ს. შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე ფეოდ. მამულის ერთ-ერთი სახეობა, რ-შიაც მიწა-წყლის მეტი ნაწილი საბატონო მეურნეობას ეკავა ან, პირიქით, მიწა-წყალი მთლიანად დამოკიდებულ გლეხებს შორის იყო დანაწილებული. ასეთი გლეხები (სენიორს ნატურალურ ან ფულად გადასახადებს უხდიდნენ.

სენ-კანტენი (Saint-Quentin), ქალაქი ჩრდ.-აღმ. საფრანგეთში, ენის დეპარტამენტში, მდ. სომის ნაპირსა და სენ-კანტენის არხზე. 67 ათ. მცხ. (1975). მანქანათსაშ., ელექტროტექ., საფეიქრო (უმთავრესად ბამბეულის) მრეწველობა. ქალაქის მიდამოებში ამზადებენ ხელოვნურ ბოჭკოს, ნაქარგებსა და მაქმანებს.

სენკევიჩი (Sienkiewicz) ჰენრიკ (5. V. 1846, ვოლია-ოქშეისკა, პოდლასიე, — 15. XI. 1916, ვევე, შვეიცარია), პოლონელი მწერალი. 1866 დაამთავრა გიმნაზია. სწავლა განაგრძო ე. წ. მთავარ სკოლაში (1869-იდან ვარშავის უნ-ტი). ადრეულ მოთხრობებში („მოხუცი მსახური", 1875; „ჰანია", 1876 და სხვ.) აღწერა პატრიარქალური წყობის დაშლა და გლეხების ტრაგედია რეფორმის შემდეგ. 1876—79 იმოგზაურა აშშ-სა და ევრ. ქვეყნებში („წერილები მოგზაურობიდან", 1876—78). მნიშვნელოვანია ტრილოგია „ცეცხლითა და მახვილით" (1883—84, ქართ. თარგმ. 1937), „წარღვნა" (1884—86) და „ბატონი ვოლოდიოვსკი" (1887—88). მსოფლიო აღიარება მოუტანა ძვ. რომის თემაზე შექმნილმა ეპოპეამ „Quo vadis?" („ვიდრე ჰხვალ?" 1894—96, ნობელის პრემია, 1905), რ-იც პიესად გადააკეთა ა. წერეთელმა სათაურით „ვიდრე ჰხვალ; უფალო?" (ქართ. სცენაზე დაიდგა 1909). ს-ს ეკუთვნის ისტ. რომანები „ჯვაროსნები" (1897— 1900, ქართ. თარგმ. 1977) და დაუმთავრებელი „ლეგიონები" (1913—14). ს-ის ნაწარმოებები მრავალ ენაზეა თარგმნილი. საქართველოში მას XIX ს. 80-იანი წლებიდან იცნობდნენ. სხვადასხვა გაზეთში იბეჭდებოდა ს-ის მოთხრობების თარგმანები „პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან" (გაზ. „დროება", 1880, №90, 92, 95, 96), „შეცდომათა კომედია" (კრებ. „ქართული ბიბლიოთეკა", 1883, № 2 და 9), „იყავ კურთხეულ" (გაზ. „ივერია", 1899, № 40), „იანკო მემუსიკე" (ჟურნ. „მოამბე", 1894, № 2). ს-ის გარდაცვალების შემდეგ ქართ. პრესა ორი თვის განმავლობაში ბეჭდავდა მწერლისადმი მიძღვნილ წერილებს. 1916. 22. XI თბილისში მოეწყო ს-ის ხსოვნისადმი მიძღვნილი დილა.

1924 ს-ის ნეშტი პოლონეთში, წმ. იანის კათედრალური ტაძრის აკლდამაში გადაასვენეს.

თხზ.: Собр. соч., т. 1—16, М., 1914; Повести и рассказы, М., 1957; ბარტექ ძლევამოსილი, ტფ., 1903; ვიდრე ჰხვალ?, თბ., 1964.

ჯ. ჭელიძე.

სენკო ვასილი ვასილის ძე (დ. 15. X. 1921, ახლანდ. ქ. სემიონოვკა, ჩერნიგოვის ოლქი), სამხედრო შტურმანი, პოლკოვნიკი (1957), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (25. III. 1943 და 29. VI. 1945). სკკპ წევრი 1942-იდან. დაამთავრა სამხ.-საავიაციო სკოლა (1941) და სამხ.-საჰაერო აკადემია (1952). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იყო მსროლელ-ბომბდამშენი, შორი მოქმედების 752-ე საავიაციო პოლკის და მე-10 შორი მოქმედების გვარდიული პოლკის ეკიპაჟის შტურმანი. მონაწილეობდა ბრძოლებში ლენინგრადთან, დონზე, სტალინგრადთან, პოლონეთში, უნგრეთში, აღმ. პრუსიაში, გერმანიაში. განახორციელა 430 საბრძოლო გაფრენა. დაჯილდებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სენკოვსკი ოსიპ (იულიან) ივანეს ძე [19 (31). III. 1800, ვილნოს ოლქი, — 4 (16). III. 1858, პეტერბურგი], რუსი მწერალი, პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1828). რუს. აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. რედაქტორობდა ჟურნ. „ბიბლიოთეკა დლია ჩტენიას" (1822—47), რ-შიც აქვეყნებდა თხზულებებს ბარონ ბრამბეუსის ფსევდონიმით.



დ. სენიავინი.

სენ-ლორანი (Saint-Laurent) ლუი სტეფან (1. II. 1882, კომპტონი, კვებეკის პროვ., — 25. VII. 1973, ქ. კვებეკი), კანადის სახელმწიფო მოღვაწე. 1941—46 და 48 იუსტიციის მინისტრი. 1946—48 საგარეო საქმეთა მინისტრი. 1948 აგვ. — 1958 იანვ. ლიბერ. პარტიის ლიდერი. 1948 ნოემბ. — 1957 ივნ. პრემიერ-მინისტრი. ს.-ლ-ის მთავრობის დროს ნიუფაუნდლენდი კანადას შეუერთდა. 1958 ს.-ლ. პოლიტ. მოღვაწეობას ჩამოშორდა.

სენ-ლუი (Saint-Louis), ქალაქი სენეგალის ჩრდ.-დას. ნაწილში, კ. სენ-ლუიზე. რეკის ოლქის ადმ. ცენტრი. 88 ათ. მცხ. (1976). სამდ. ნავსადგური მდ. სენეგალის შესართავის მახლობლად. რკინიგზით უკავშირდება დაკარს. საავტ. გზების კვანძი. აეროპორტი. სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. თევზჭერა. შინასარეწები. დაარსეს 1658—59 ფრანგებმა, 1958-მდე იყო სენეგალის ადმ. ცენტრი.



ე. სენკევიჩი.

სენ-ნაზერი (Saint-Nazaire), ქალაქი დას. საფრანგეთში, ატლანტიკური (ქვემო) ლუარის დეპარტამენტში, მდ. ლუარის ესტუარში. 69 ათ. მცხ. (1975). ავიაპორტი — ქ. ნანტი. ქვეყანაში უდიდესი გემთაშენი ვერფები, საავიაციო, ქიმ., კვების მრეწველობა.

სენოიები, ტომთა ჯგუფი მალაიზიაში. ცხოვრობენ მალაკის ნ.-კ-ის ცენტრ. ქედის ტყიან მთისწინეთში. რაოდ. დაახლ. 34 ათ. კაცი (1978, შეფასება). ენა მონ-ქმერული ჯგუფის განეკუთვნება (იხ. *მონ-ქმერული ენები*), განიცდის მალაიური ძლიერ გავლენას. რელიგია—სულთა თაყვანისცემა, ნაწილმა ისლამი მიიღო. ანთროპოლ. თვისებები, ენა და კულტურა ცხადყოფენ, რომ განეკუთვნებიან სამხრ.-აღმ. აზიის ძვ., მონღოლთა წინადროინდელ მოსახლეობას. თანამედროვე ს. ასიმილირებული არიან მალაიელებთან. მისდევენ საახოე მიწათმოქმედებას. ნადირობას, თევზჭერას და შემგროვებლობას. შემორჩათ დედისეულ-გვაროვნ. ურთიერთობის გადმონაშთები.

სენ-პიერი (Saint-Pierre), ქალაქი, საფრანგეთის სამფლობელო სენ-პიერი და მიკელონის ადმ. ცენტრი. გაშენებულია კ. სენ-პიერზე, ატლანტის ოკ. სანაპიროზე. 5,4 ათ. მცხ. (1982). ნავსადგური. თევზის (უმთავრესად ვირთევზას) ჭერა, გადამუშავება და გატანა.



ვ. სენკო.

სენ-პიერი (Saint-Pierre), ქალაქი კ. რეიუნიონის (საფრ. სამფლობელო) სამხრ.-დას. ნაწილში. 45 ათ. მცხ. (1974). ნავსადგური (უმთავრესად თევზსაჭერი) ინდ. ოკ. სანაპიროზე. რკინიგზის სადგური. შაქრის, რომის, ხილის კონსერვების წარმოება. მიდამოებში გერანის პლანტაციებია.

სენ-პიერი და მიკელონი (Saint-Pierre et Miquelon), საფრანგეთის „ზღვისიქითა დეპარტამენტი" ატლანტის ოკეანეში, კ. ნიუფაუნდლენდის სამხრ-ით. შედგება 8 კუნძულისაგან, რ-თაგან უდიდესია კ. სენ-პიერი და კ. მიკელონი. ფართ. 242 *კმ*². მოსახლ. 6 ათ. კაცი (1982), უმთავრესად ფრანგები. ადმ., მთავარი ეკონ. ცენტრი და ნავსადგური — ქ. სენ-პიერი. ოფიც. ენა — ფრანგული. რელიგია — კათოლიკური. ჰავა ზომიერია, ნო-


ტიო ოკეანისა. იანვ. საშ. ტემპ-რა –6°C, ივლ. 14°C. ნალექები 1000 *მმ*-მდე წელიწადში. ბორცვიანი დაბლობებისა და პლატოების ქვიშიანი ზედაპირი არახელსაყრელია სოფ. მეურნეობისათვის. მოსახლ. მთავარი საქმიანობაა თევზის ჭერა და გადამუშავება, სხვა ქვეყნების თევზსაჭერი გემების მომსახურება. ნადირთმოსაშენებელი ფერმა. გააქვთ თევზი, თევზის პროდუქტები, ბეწვეული.



სენ-ჟონ პერსი.

სენ-პოლი (Saint-Paul), ქალაქი და ნავსადგური კ. რეიუნიონის (საფრ. სამფლობელო) ჩრდ.-დას. ნაწილში. 50 ათ. მცხ. (1974). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის (შაქრის ლერწამი, ვანილი) ცენტრი. შაქრის, რომის წარმოება.

სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულება 1919, პირველი მსოფლიო ომის (1914—18) დამამთავრებელი ერთ-ერთი საზავო ხელშეკრულება, დამდები მხარეები იყვნენ: ერთი მხრით, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვ. „მოკავშირე და გაერთიანებული სახელმწიფოები“ და, მეორე მხრით, ავსტრია. ხელი მოაწერეს ქ. სენ-ჟერმენ-ან-ლეში (პარიზის მახლობლად) 10 სექტ. ს.-ჟ. ს. ხ-მ დაადასტურა ავსტრ.-უნგრ. იმპერიის დაშლა და მის ტერიტორიაზე ავსტრ. რესპუბლიკის, უნგრ., ჩეხოსლ., სერბია-ხორვატია-სლოვენიის (1929 ოქტ.-იუგოსლავია) სახელმწიფოს შექმნა. ავსტრიამ იკისრა მთავარი „მოკავშირე და გაერთიანებული სახელმწიფოების“ მიერ დადგენილი ბულგ., პოლონ., რუმ., საბერძნ., სერბია-ხორვატია-სლოვენიის სახელმწიფოს და ჩეხოსლ. საზღვრების ცნობა. მასვე დაეკისრა რეპარაციები, აეკრძალა სამხ. ავიაციისა და სამხ. ფლოტის შექმნა. ბუკოვინის სახ. ვეჩეს 1918 წ. 3 ნოემბ. გადაწყვეტილება ჩრდ. ბუკოვინის საბჭ. უკრაინასთან შეერთების შესახებ მხედველობაში არ მიიღეს და ბუკოვინა მთლიანად გადაეცა რუმინეთს, იტალიამ მიიღო სამხრ. ტიროლი და სხვა ტერიტ. ნაწილი. ს.-ჟ. ს. ხ-ის 88-ე მუხლი კრძალავდა ავსტრ. დამოუკიდებლობის შელახვას, მის შეერთებას გერმანიასთან (ანშლუსი), რაც შეესაბამებოდა 1919 ვერსალის საზავო ხელშეკრულების 80-ე მუხლს. ს.-ჟ. ს. ხ. რატიფიცირებული იქნა ავსტრ. დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. 17 ოქტ. ძალაში შევიდა 1920 წ. 16 ივლისს. ს.-ჟ. ს. ხ. მიმართული იყო საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ, რ-იც გამორიცხეს დუნაის კომისიებიდან. 1938 მარტში ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის დაპყრობით ს.-ჟ. ს. ხ-ის პირობები მთლიანად გაუქმდა. *ი. კობახიძე.*



კ. სენ-სანსი.

სენ-ჟიუსტი (Saint-Just) ლუი ანტუან (25. VIII. 1767, დესიზი, — 28. VII. 1794, პარიზი), საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, რობესპიერის თანამოაზრე და თანამებრძოლი. 1792 აირჩიეს კონვენტის წევრად, მიეშხრო იაკობინელებს, მონაწილეობდა იაკობინური კონსტიტუციის (1793 კონსტიტუცია) შემუშავებაში, *საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის* წევრი. მისი წინადადებით კონვენტმა მიიღო დადგენილება (1793 წ. 10 ოქტ.) რევ. მთავრობის შექმნის შესახებ. ჟირონდისტების, ებერტისტებისა და დანტონისტების მთავარი ბრალმდებელი. რევ. არმიის რეორგანიზაციით ხელი შეუწყო. საფრ. ჯარების გამარჯვებას ფლერიუსთან (1794 წ. 26 ივნ.). მისი ინიციატივით კონვენტმა მიიღო ვანტოზის დეკრეტები (1794). კონტრრევ. თერმიდორული გადატრიალების შემდეგ გილიოტინით მოჰკვეთეს თავი.

სენ-ჟონ პერსი (Saint-John Perse) [ნამდვ. სახ. და გვარი ალექსი ლეჟე (Leger)] (31. V. 1887, კ. გვადელუპა,— 20. IX. 1975, ჟიენი, ვარის დეპარტ.), ფრანგი პოეტი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1960). საფრ. ოკუპაციის (1940—44) პერიოდში პეტენის მთავრობამ მას მოქალაქეობა წაართვა, ხოლო 1927—40 პერიოდის ლიტ. შრომები გაანადგურეს. პოეტი აშშ-ში გაიქცა; საფრ. წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. ს.-ჟ. პ-ის შემოქმედება გამსჭვალულია პატრ. და მოქალაქეობრივი მოტივებით, მისთვის უცხო დარჩა მოღვრნისტული ნოვატორობა, მიჰყვებოდა ფრანგ. რაციონალისტურ ტრადიციას. მისი შემოქმედებიდან გამოირჩევა პოემა „ანაბასისი“ (1924), ლექსების ციკლები „გადასახლება“ (1942), „ქარები“ (1946), პოემები „გზის მაჩვენებლები“ (1957), „ქრონიკა“ (1960), „ჩიტები“ (1962) და სხვ. ს.-ჟ. პ-ს მინიჭებული აქვს დიდი ეროვნ. პრემია. აღიარებულია საფრ. ეროვნ. პოეტად.

ლიტ.: История французской литературы, т. 4, М., 1963.

სენ-სანსი (Saint-Saëns) შარლ კამილ (9. X. 1835, პარიზი, — 16. XII. 1921, ალჟირი; დაკრძალულია პარიზში), ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, მუსიკის კრიტიკოსი და საზ. მოღვაწე. საფრ. ინ-ტის წევრი (1881), კემბრიჯის უნ-ტის საპატიო დოქტორი (1893), რუს. სამუსიკო საზ-ბის პეტერბ. განყ-ბის საპატიო წევრი (1909). 1848-იდან სწავლობდა პარიზის კონსერვატორიაში ფ. ბენუასთან (ორგანი) და ფ. პალევისთან (კომპოზიცია). მუშაობდა ორგანისტად პარიზის ტაძრებში (1853—77). ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა ლ. ნიდერმაიერის სკოლაში (1861—65). ეროვნული სამუსიკო საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1871). როგორც პიანისტი და დირიჟორი კონცერტებს მართავდა მრავალ ქვეყანაში, მ. შ. რუსეთში (1875, 1881). ს.-ს-ის მუსიკას ახასიათებს კოლორიტის ფერადოვნება, ნათელი ლირიკა, კეთილშობილური პათეტიკა, ხალხ. და ყოფით მუსიკასთან სიახლოვე. საუკეთესო ნაწარმოებები: ოპერა „სამსონ და დალილა“ (1877, ვაიმარი), III სიმფონია (ორგანთან ერთად, 1886), სიმფ. პოემა „სიკვდილის ცეკვა“ (1874), III კონცერტი (1880) და „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩოზო“ (1863) ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, II, IV, V სფორტეპიანო (1868, 1875, 1896) და II საფიოლონჩელო (1902) კონცერტები, ფანტაზია ორკესტრისათვის „ცხოველების კარნავალი“ (1886) და სხვ. ს.-ს. კრიტ. წერილების ავტორიცაა. თეორ. ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ჰარმონია და მელოდია“ (1885), „პორტრეტები და მოგონებები“ (1899). მასვე ეკუთვნის ლექსების 2 კრებული.

თბილ. საოპერო თეატრის სცენაზე იდგმებოდა ს.-ს-ის ოპერები „სამსონ და დალილა“ (1894—95, 1926—36, 1940—44) და „ფრინა“ (1908—09).

ლიტ.: Кремлёв Ю., К. Сен-Санс, М., 1970; Ролллан Р., К. Сен-Санс, Собр. соч., т. 16, Л., 1935.

სენსაცია (ფრანგ. sensation), 1. ძლიერი შთაბეჭდილება, რ-საც საზოგადოება ახდენს. რაიმე ამბავი, შემთხვევა. 2. თვით ამბავი, შემთხვევა, რ-იც ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს, მითქმა-მოთქმას, ხმაურს იწვევს.

სენსიბილიზაცია (ფრანგ. sensibilisation < ლათ. sensibilis — მგრძნობიარე) (ბიოლ.), ორგანიზმში სპეციფიკური მომეტებული მგრძნობელობის განვითარება უცხო ნივთიერებების — ალერგენების მიმართ. ს. შეიძლება გამოიწვიოს ბაქტერიამ, ვირუსმა, ქიმ. ნივთიერებამ, მ. შ. სამკურნ. საშუალებამ, საწარმოო შხამმა და სხვ. სხვადასხვა ალერგენის მასენსიბილიზებელი თვისებები დამოკიდებულია არა მარტო ორგანიზმში შეყვანილი ნივთიერების რაოდენობაზე, არამედ მის თვისებებსა და ანტიგენების ფიზ. მდგომარეობაზე. მაგ. ავტოსენსიბილიზაცია უფრო ხშირად ვითარდება საკუთარი დაზიანებული ცილებისადმი ორგანიზმში ავტოალერგენების წარმოქმნის შედეგად. სენსიბილიზებულ ორგანიზმზე ალერგენების განმეორებითმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს *ანაფილაქსიის* ტიპის რეაქცია — *შრატისმიერი დაავადება*, ართუსის ფენომენი (მწვავე ადგილ. ანთებითი შეშუპება). დროის იმ მონაკვეთს, რ-იც გადის ორგანიზმში ალერგენის პირველი მოხვედრიდან მის მიმართ მორტებული მგრძნობელობის განვითარებამდე (*ალერგია*), ს-ის პერიოდი ეწოდება; ეს შეიძლება რამდენიმე დღე-ღამიდან რამდენიმე წლამდე გაგრძელდეს. *იმუნიტეტის* მსგავსად განარჩევენ აქტ. და პასიურ ს-ს, ამასთანავე, იმუნიტეტი და ს. შეიძლება განვითარდეს პარალელურად. ს-ის გაჩენისა და განვითარების კანონზომიერებანი შრატისმიერი ალერგენების მიმართ შესწავლილია აქტ. ს-ის მაგალითზე. იმუნიზაციისაგან განსხვავებით ს-ს იწვევს მასენსიბილიზებელი უცხო შრატის, რაიმე სხვა უცხო ცილის ან დაბალმოლეკულური ქიმ. ნივთიერების (მ. შ. სამკურნ.) მინ. რაოდენობა. ცხოველების ს-ს ხელოვნურად იწვევენ, რაიაა შეისწავლონ ეს ფენომენი და გამოიყენონ ადამიანის სხვადასხვა დაავადების მკურნალობისათვის. აქტიური ს-ის გამოსაწვევად იყენებენ ალერგენების არა მინ., არამედ ბევრად უფრო დიდ დოზებს, რაც სხვადასხვა ცხოველისათვის სხვადასხვაა. მაგ., ზღვის გოჭის კანქვეშ შეჰყავთ (ერთხელ ან ორჯერ) ცხენის შრატის ან სხვა ცილოვანი ალერგენის 0,01 *მლ*; ძაღლს კანქვეშ (ერთხელ ან ორჯერ) უკეთებენ ცხენის შრატის 0,2—0,5 *მლ/კგ* და ა. შ. ს-ის კანქვეშა მეთოდს უხამებენ შიგა-ვენურს — შრატი ჯერ კანში შეჰყავთ, შემდეგ კი — ვენაში. ამ წესით იწვევენ კატის, მგლის, დათვის ს-ს. პასიური ს. ვითარდება ჯანმრთელი ცხოველის ორგანიზმში სხვა, აქტიურად სენსიბილიზებული ცხოველის შრ.-ტის შეყვანის შედეგად. ს-ის მდგომარეობა შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანიზმს (მაგ., სისხლის გადასხმის დროს), აგრეთვე შესუსტდეს ან სულ გაქრეს ორგანიზმის *დესენსიბილიზაციით.*

სენსიბილიზაცია ოპტიკური, ფოტოგარდაქმნის უნარის მქონე სისტემებში შუქმგრძნობიარობისა და სპექტრული დიაპაზონის გაზრდა სხვადასხვა ნივთიერებების (სენსიბილიზატორების) გავლენით. ს-ს ფართოდ იყენებენ კინოფოტომასალების დამზადებისას.

ლიტ.: Джеймс Т., Теория фотографического процесса, пер. с англ., 2 изд., Л., 1980.

სენ-სიმონი (Saint-Simon) კლოდ ანრი დე რუვრუა (de Rouvroy) (17. X. 1760, პარიზი, — 19. V. 1825, იქვე), გრაფი, ფრანგი მოაზროვნე, უტოპიური სოციალისტი, სოციოლოგი. ცდილობდა თავისი ეპოქის მეცნ. და ფილოს ცოდნის სინთეზის სახით შეექმნა უნივერს. მოძღვრება. ოჯახი, სადაც ის დაიბადა, თავის წინაპრად კარლოს დიდს თვლიდა. 1779 მიემგზავრება ამერიკაში და მონაწილეობს ჩრდ. ამერ. კოლონიების ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ. წამოაყენა პანამის არხის გაჭრის პროექტი. 1783 წ. 23 წლის ასაკში პოლკოვნიკის წოდებით ბრუნდება სამშობლოში, საფრ. რევოლუციაში მონაწილეობას არ იღებს, რადგან კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის მომხრეა. 40 წლისა ფანატიკურად შეუდგა თავისი მოძღვრების ჩამოყალიბებას. ამას ყველაფერი შესწირა. ცხოვრობდა უკიდურეს სიღატაკეში. სიცოცხლის ბოლო წლებში თავის გარშემო შემოიკრიბა მიმდევრები: ო. ტიერი, ო. კონტი, ბ. პ. ანფანტენი, ს. ა. ბაზარი, ო. როდრიგი და სხვ., რ-ებმაც 1830 შექმნეს რელიგიური ძმობა და ცდილობდნენ მუშათა კლასზე გავლენის მოპოვებას. 1825 გა-



სტ. პ სეზანი. „პიერო და არლეკინი". 1888. ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი მოსკოვი



სტ. ვ. სეროვი. „ქალიშვილი ატმებით". 1887 ტრეტიაკოვის გალერეა მოსკოვი

ხოდის სენსიმონიზმის ორგანო — „მწარმოებელი", რ-იც 1826 დაიბეჭდა; 1831-იდან მათი ორგანო გახდა ჟურნ. „გლობუსი". ს.-ს-თვის მატერ. უნივერსუმი ჭოჭრავია და მსოფლიო მიზიდულობის უნივერს. კანონს ემორჩილება. ასევეა საზ-ბაც და ადამიანიც. კაცობრიობა გადის თავისი განვითარების 3 საფეხურს: რელიგიურს, მეტაფიზიკურსა და მეცნიერულს. კაცობრიობის განვითარების მიზანია ისეთი საზ-ბის შექმნა, სადაც განხორციელდება ქრისტიანობის ჰუმანიტარიტი პრინციპი: ყველა ადამიანი ძმაა. ყველა ეპოქას საკუთრების სპეციფ. ფორმა აქვს. ახ. საზ-ბაში საკუთრება შენარჩუნებულია, მაგრამ შრომის საყოველთაო ვალდებულებად გამოცხადების, წარმოების გეგმაზომიერი, მეცნ. ორგანიზაციის საშუალებით უზრუნველყოფილ იქნება საზ-ბის უმრავლესობისათვის ბედნიერების მაქსიმუმი, ყველა ადამიანის უნარის რაც შეიძლება სრული განვითარება. საზ-ბაში გაბატონებული უნდა იყოს მწარმოებელი კლასი (მიწათმოქმედები, ფაბრიკანტები, ვაჭრები), რადგან ისინი ქმნიან და ანაწილებენ მთელს დოვლათს. ნაშრომში „ახალი ქრისტიანობა" პროლეტარიატის განთავისუფლებას უმაღლეს მიზნად აცხადებს, მაგრამ პროლეტარიატი მხოლოდ სიბრალულის ობიექტად მიაჩნია და არა მებრძოლ ძალად. ს.-ს-ის მოძღვრება წარმოადგენდა მეცნ. სოციალიზმის ერთ-ერთ წყაროს.

თხზ.: Œuvres de Saint-Simon et d'Enfantin, v. 1—47, P., 1865—78; Избр. соч., т. 1—2, М.—Л., 1948.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თბ., 1977; Волгин В. П., Сен-Симон и сен-симонизм, М., 1961; Плеханов Г. В., Французский утопический социализм XIX в., Избр. философские произведения, т. 3, М., 1957. *გ. თევზაძე.*

სენ-სირი, უფრო სწორია გუვიონ-სენ-სირი (Gouvion-Saint-Cyr) ლორან (13. IV. 1764, ტული, — 17. III. 1830, იერი, ვარის დეპარტ.), საფრანგეთის მარშალი (1812), მარკიზი (1817). დაწინაურდა რევ. ომების დროს (1794 — დიუნზიის გენერალი). ნაპოლეონის ომების მონაწილე. 1808—09 კატალონიის არმიის სარდალი ესპანეთში. 1812 რუსეთში ლაშქრობისას სარდლობდა მე-6 და მე-7 კორპუსებს. გერმ. 1813 კამპანიის მონაწილე. 1814 ბურბონების მხარეზე გადავიდა. 1814-იდან საფრ. პერი, 1815 სამხ. მინისტრი, 1817—19 სამხ. და საზღვ. მინისტრი.

სენსუალიზმი (ფრანგ. sensualisme< ლათ. sensus—აღქმა, გრძნობა, შეგრძნება) ფილოსოფიური მიმართულება, რ-საც წინააღმდეგ რაციონალიზმისა, შემეცნების მთელი შინაარსი შეგრძნებებიდან გამოჰყავს. ს. ემპირიზმის შემეცნების თეორიაა. გამონაკლისია ჯ. ბერკლი, რ-იც ამაოდ ცდილობდა დაესაბუთებინა ს-ის საფუძველზე ღმერთის არსებობის ობიექტურ-იდეალისტური თეზისი, თანამიმდევრულად გაეტარებინა ჯერ კიდევ ანტ. ეპოქაში წამოყენებული პრინციპი: „არაფერია გონებაში ისეთი, წინასწარ შეგრძნებებში რომ არ იყოს მოცემული". მისთვის გონება „წმინდა დაფაა", რ-ზედაც შეგრძნებებით იწერება. ამ პრინციპის რადიკალური გატარებაა ე. კონდილიაკის ე. წ. „ქანდაკების ფიქცია": ქანდაკებას თანდათან უფალიბდება გრძნობის ორგანოები და ამის შესაბამისად მთელი სულიერი სამყარო შინაგანი გრძნობის ჩათვლით. თუ სენსუალისტი შეგრძნებებს ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობის „ასახვად" თვლის, იგი მატერიალისტია (ეპიკურე, ბეკონი, ჰობზი, ფოიერბახი); თუ ობიექტურ რეალობას აღიარებს, მაგრამ მისი შემეცნება შეუძლებლად მიაჩნია, აგნოსტიკოსია; თუ ობიექტური რეალობის არსებობა საეჭვოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია და მხოლოდ გრძნობადად მოცემულის აღწერით კმაყოფილდება, იუმისტი და პოზიტივისტია. ს-ის ძირითადი ნაკლი შემეცნებაში გონებისა და შეგრძნებების დიალექტიკური კავშირის გაუგებრობაა. ს. შეგრძნებებს ისტ. პრაქტიკისაგან მოწყვეტით იხილავს.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14; ბაქრაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969; Piéron H., La sensation, P., 1953. *გ. თევზაძე.*

სენტავო (ესპ.<პორტუგ. centavo, სიტყვასიტყვით — მეასედი ნაწილი < ლათ. centum — ასი), ხურდა ფული ლათ. ამერ. მრავალ ქვეყანაში (არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, გვატემალა, ჰონდურასი, კოლუმბია, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პერუ, სალვადორი), აგრეთვე პორტუგალიაში და ფილიპინებზე; უდრის ქვეყნის ეროვნ. ფულადი ერთეულის 1/100.

სენტ-ამანი (Saint-Amant) მარკ ანტუან ჟირარდ დე (Girard de) (30. IX. 1594, კევიი, რუანის მახლობლად, — 23. XII. 1661, პარიზი), ფრანგი პოეტი. ფრანგ. აკად. წევრი (1634). ეკუთვნის გალანტური პოემები „ანდრომედე", „არიონი" (კრებ. 1629), სონეტები, პოეტური მიძღვნები, ჰეროიკული პოემები, ბურლესკური ლექსები, ოდები, ჰეროიკული იდილია და სხვ.

სენტ-არნო (Saint-Arnaud) არმან ჟაკ ლეროა დე (20. VIII. 1798, პარიზი, — 29. IX. 1854, ჩომალდზე, შავ ზღვაში), საფრანგეთის მარშალი (1852). დაწინაურდა ალჟირში კოლონ. ომების დროს. 1851-იდან სამხ. მინისტრი. ყირიმის ომში (1853—56) 1854 სარდლობდა საფრ. საექსპედიციო ჯარებს ყირიმში მათი გადასხმისას და მდ. ალმასთან ბრძოლაში.

სენტ-ბევი (Sainte-Beuve) შარლ ოგიუსტენ (23. XII. 1804, ბულონ-სიურ-მერი, — 13 ან 15. X. 1869, პარიზი), ფრანგი კრიტიკოსი და პოეტი. 1827-იდან დაუახლოვდა პოეტთა რომანტ. წრეს „სენაკლს". 1829 გამოსცა ლექსების ციკლი „ჟოზეფ დელორმის ცხოვრება, ლექსები და აზრები", 1830 — მეორე წიგნი „ნუგეში". XVII—XIX სს. ფრანგ მწერალთა შესახებ ქმნიდა კრიტ. ეტიუდებს, რ-ებიც გაერთიანდა კრებ. „ლიტერატურულ-კრიტიკულ პორტრეტებში" (ტ. 1—5, 1836—39). მნიშვნელოვანია მისი „პორროიალის ისტორია" (ტ. 1—5, 1840—59), მრავალტომიანი სერია „საუბრები ორშაბათობით" (1851—62) და „ახალი ორშაბათები" (1863—70). ეკუთვნის აგრეთვე რომანი „აეხორცობა" (1834). თავის კრიტ. სტატიებში ს-ბ-მა წარმოადგინა ფრანგ. ლიტ-რის განვითარების ფართო სურათი.

სენტ-გოდენზი (Saint-Gaudens) ოგასტეს (1. III. 1848, დუბლინი, — 3. VIII. 1907, კორნიში, ნიუ-ჰემფშირი, აშშ), ამერიკელი მოქანდაკე. სწავლობდა ხატვის ეროვნ. აკადემიაში (ნიუ-იორკი, 1864—66) და ნატიფი ხელოვნ. სკოლაში (პარიზი, 1867—70). მოღვაწეობდა რომსა (1870—72 და 1873—75) და აშშ-ში. XIX ს. თვალსაჩინო ამერ. მხატვარ-რეალისტი. მის შემოქმედებაში ზუსტი კონკრეტულობა და წარმოსახვის მკაცრი თავშეკავებულობა ერწყმის პოეტურობასა და სახეთა ცოცხალ დახასიათებას, ძერწვის უშუალო და თავისუფალ მანერას. ნამუშევრები: დ. ფერაგატის (ნიუ-იორკი, 1881), ა. ლინკოლნის (ჩიკაგო, 1887), რ. შოს (ბოსტონი, 1897) ძეგლები, რ. სტივენსონის პორტრეტი (ბარელიეფი, 1899—1900, სურათების ეროვნ. გალერეა, ვაშინგტონი).

სენტ-დიორდი (Szent-Györgyi) ალბერტ (დ. 16. IX. 1893, ბუდაპეშტი), ამერიკელი ბიოქიმიკოსი, წარმოშობით უნგრელი. აშშ ეროვნ. მეცნ. აკად. (1956) და ამერ. ხელოვნ. და მეცნ. აკად. (1957) წევრი. სწავლობდა ბიოლ. ჟანგვის პროცესებს. ცხოველური და მცენარეული ქსოვილებისაგან გამოჰყო ასკორბინის მჟავა და გვიჩვენა მისი იდენტურობა C ვიტამინთან. დაადგინა, რომ რიბოფლავინი განეკუთვნება B_2 ვიტამინის კომპლექსს. ს.-დ-მ აღმოაჩინა და ექსპერიმენტულად დაასაბუთა ფუმარის, ვაშლისა და ქარვის მჟავების კატალიზური მოქმედება ქსოვილურ სუნთქვაზე. შეისწავლა აგრეთვე აქტინისა და მიოზინის თვისებები. ს.-დ-ს ეკუთვნის კუნთოვანი შეკუმშვის თეორიები. ნობელის პრემია (1937). სსრკ მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1947) და უნგრ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1945).

სენტ-ექზიუპერი (Saint-Exupéry) ანტუან დე (29. VI. 1900, ლიონი,—31. VII. 1944), ფრანგი მწერალი. II მსოფლიო ომის წლებში (1939 — 45) სამხ. მფრინავი იყო. დაიღუპა სადაზვერვო ფრენის დროს. 1926 გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „მფრინავი". მის ცნობილ რომანებში „სამხრეთის საფოსტო" (1929), „ღამის გაფრენა" (1931, „ფემინის" პრემია), „ადამიანთა მიწა" (1939, ფრანგ. აკად. დიდი ლიტ. პრემია) ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს დოკუმენტური რეპორტაჟი და ლირიკა, ფსიქოლ. ანალიზი და ფილოს. მსჯელობა ადამიანის დანიშნულებაზე. მისი სტილისტური ხელწერა ლაკონური და მკაცრია; მოულოდნელი ასოციაციები ენაცვლება ცოცხალ მეტაფორებს, მოსწრებულ აფორიზმებს. ამ ნაწარმოებებში ურთულესი ფილოს. და ეთიკური პრობლემები მჭიდროდაა დაკავშირებული სახეთა მთელ სისტემასთან და ნათელი, გამჭვირვალე ფორმით ვლინდება; სიუჟეტური ეპიზოდები მიჰყვება ავტორის ფიქრებსა და მსჯელობებს, თავისებური პოეტური პროზა ენაცვლება ცოცხალ დიალოგებს. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ს.-ე-ს ალეგორიულმა ზღაპარმა „პატარა უფლისწული" (1943), რ-შიც სრულიად ახლებური ფორმით გამოჩნდა მწერლის ჰუმანისტური იდეები, სახეთა რთული ალეგორიულობა, დახვეწილი იუმორი, ნაღვლიანი ლირიზმი განსაზღვრავს ამ პატარა ფილოს. ნაწარმოების მხატვრულ ფორმას. 1948, გამოვიდა ს.-ე-ს დაუსრულებელი ფილოს. ნაწარმოები „ციტადელი". მასვე ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო ნარკვევების ციკლი, რ-ებიც შექმნა სსრკ-ში ყოფნის (1935) შედეგად, და რეპორტაჟები ესპ. სამოქალაქო ომის შესახებ.

თხზ.: ადამიანთა მიწა, თბ., 1966; პატარა უფლისწული, თბ., 1962; სამხედრო მფრინავი, თბ., 1977.

ლიტ.: ვაჭარაშვილი ნ., ანტუან დე სენტ-ექზიუპერი, თბ., 1972; მისივე, ვარსკვლავების სიცილი, «ცისკარი», 1966, № 10. *ი. ბაჩიაშვილი.*

სენტენცია (ლათ. sententia — აზრი, მსჯელობა), ზნეობრივი ხასიათის სხარტი გამოთქმა, დამრიგებლური შინაარსის მოკლე შეგონება; ს-ები დამახასიათებელია დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი დანიშნულების ნაწარმოებებისათვის. ხშირად იყენებენ აგრეთვე ორატორულ ხელოვნებასა და ცოცხალ, სასაუბრო ენაში. ს-ებით მდიდარია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, დ. გურამიშვილის „სწაულა მოსწავლეთა" და სხვ.

სენტ-ეტიენი (Saint-Étienne), ქალაქი საფრანგეთში, საფრ. ცენტრ. მასივზე. ლუარის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 220 ათ. მკჳ., აგლომერაციაში — 335 ათ. (1975). XVI ს-ში ს.-ე-ში განვითარდა სამეფო იარაღის მანუფაქტურა, XIX ს-ში — ქვანახშირის მოპოვება და მეტალურგია. განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, ხარისხოვანი ფოლადის გამოდნობა, ოპტიკა, კოქსის წარმოება, ტრიკოტაჟის, სამკერვალო მრეწველობა, არის უნ-ტი და უმაღლესი სამთო სკოლა.

სენტ-ვინსენტი და გრენადინები (Saint Vincent and Grenadines), სა-



ჟ. სენტ-ექზიუპერი.



ჟ. სენტ-ბევი.



ა. სენტ-დიორდი.



ა. სენტ-ეგზიუპერი.

ხელმწიფო კ. სენტ-ვინსენტსა და მიმდებარე ჩრდ. გრენადინის კ-ებზე კარიბის ზღვაში, მცირე ანტილის კ-ების სამხრ.-აღმ. ნაწილში. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 389 *კმ*². მოსახლ. 124 ათ. კაცი (1981). მოსახლ. უმრავლესობა ზანგი და მულატია, ცხოვრობენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთიდან გადმოსახლებულები, პორტუგალიელები, ინდიელები. რელიგია — ქრისტიანობა (ძირითადად ანგლიკანური). დედაქალაქი — კინგზტაუნი (32. ათ. მცხ., 1978). ოფიც. ენა — ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 27 ოქტ. — დამოუკიდებლობის დღე (1979). ფულის ერთეულია აღმ. კარიბის დოლარი. 2,7 აღმ. კარიბის დოლ.=1 აშშ-ის დოლარს (1981).

ს.-ვ. და გ. კონსტ. მონარქიაა. საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს კრების პალატა (ერთპალატიანი პარლამენტი). სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტ. მეფე (დედოფალი), რ-იც წარმოდგენილია მის მიერ დანიშნული გენ.-გუბერნატორით. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, რ-საც ნიშნავს გენ.-გუბერნატორი.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ს.-ვ. და გ. შედის ქარიბის კ-ების ჯგუფში. კ-ები ვულკ. წარმოშობისაა. რელიეფი უმთავრესად მთაგორიანია. სიმაღლე 1178 *მ*-მდე (ვულკ. სუფრიერი). ჰავა ტროპ. პასატურია, ნოტიო. ნალექები დაახლ. 1500 *მმ* წელიწადში. მთაში შემორჩენილია მარადმწვანე ტროპ. ტყე.

სენტ-ვინსენტის კუნძული აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა 1498. ჯერ ფრანგები ფლობდნენ, შემდეგ — ინგლისელები. 1763-იდან დიდი ბრიტ. კოლონია გახდა, 1958—62 ვესტინდ. ფედერაციაში შედიოდა. 1969 წ. 27 ოქტ. მიიღო „დიდ ბრიტანეთთან ასოცირებული სახელმწიფოს“ სტატუსი. 1978 ლონდონის კონფერენციამ შეიმუშავა კონსტიტუცია და მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ქვეყნის დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადეს 1979 წ. 27 ოქტ.; იმავე წლის 5 დეკ. საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა სენტ-ვინსენტის ლეიბორისტულმა პარტიამ (სვლპ). ოპოზიციაშია ახ. დემოკრ. პარტია (ადპ). პრემიერ-მინისტრად, ფინანსთა, ინფორმაციისა და გრენადინების საქმეთა მინისტრად აირჩიეს რ. მ. კეიტო.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ. და ტურისტების მომსახურება. მთლიანი შიგა პროდუქტის 52,3%-ს იძლევა (1981) ვაჭრობა, მომსახურება და ტურიზმი, 12%-ს— სოფ. მეურნ., 10%-ს — მრეწვ., დანარჩენს — სხვა დარგები. მოსახლ. 2/3 დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. შრომისუნარიანი მოსახლ. დაახლ. 10% უმუშევარია.

სოფ. მეურნეობისათვის ვარგისია ქვეყნის ტერიტ. დაახლ. 1/3. საუკეთესო მიწები, აგრეთვე ტყის მასივები ეკუთვნის უცხ. კაპიტალს და პლანტატორებს. ს.-ვ. და გ. ეროურუტის (სახამებლის ფქვილი) მსოფლიო მწარმოებელია (1 ათ. ტ, 1980). მთავარი სას.-სამ. კულტურებია ბანანი (25 ათ. ტ, 1981), მანგო (8 ათ. ტ, 1981), მანიოკი, კაკაო, ჯავზი. აგროვებენ ქოქოსის კაკალს (21 ათ. ტ, 1981). 1981 ქვეყანაში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 8, ღორი — 6, ცხვარი — 13, თხა — 4. ვითარდება თევზჭერა. არის ადგილ. სას.-სამ. ნედლეულის გადასამუშ. საწარმოები. ელექტროსადგურის სიმძლავრეა 8 ათ. *კვტ*, ელექტროენერგიის წარმოება — 27 მლნ. *კვტ·სთ* (1980). საავტ. გზების სიგრძეა 1040 *კმ*. 1980 ავტოპარკში იყო 5,1 ათ. ავტომობილი. მთავარი ნავსადგურია კინგზტაუნი.

1980 ექსპორტმა შეადგინა 42,9 მლნ. აღმ. კარიბის დოლარი, იმპორტმა — 154,6 მლნ. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი იფარება უმთავრესად უცხოეთის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით (83,2 ათ. ტურისტი, 1981). გააქვთ ბანანი (ექსპორტის 60%), ეროურუტი და სხვ. შეაქვთ ფართო მოხმარების საგნები, სურსათი, სათბობი, მოწყობილობა (სატრანსპ. საშუალებათა ჩათვლით). მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან დიდი ბრიტანეთი, კარიბის გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები, აშშ.

სენტიმო (ესპ. centimo<ლათ. centum— ასი), ხურდა ფული ესპანეთში, ვენესუელაში, ჰაიტიზე, კოსტა-რიკაში, პარაგვაისა და ეკვატორულ გვინეაში. უდრის მათი ეროვნ. ფულადი ერთეულის 1/100.

სენტ-კეთარინზი (Saint Catharines), ქალაქი სამხრ.-აღმ. კანადაში, ონტარიოს პროვინციაში, უელენდის არხზე. 124 ათ. მცხ., აგლომერაციაში — დაახლ. 300 ათ. (1981). მანქანათმშ., ხავი მეტალურგია, ქიმ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. უნ-ტი. ს.-კ. დაარსდა 1790.

სენტ-კლერ დევილი (Sainte-Claire Deville) ანრი ეტიენ (11. III. 1818, კ. სენტ-ტომასი, ვირჯინის კ-ები, — 1. VII. 1881, ბულონ-სიურ-სენი, ახლანდ. ბულონ-ბიანკური), ფრანგი ქიმიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1861). 1849 მიიღო აზოტის ანჰიდრიდი (მშრალ ვერცხლის ნიტრატზე ქლორის მოქმედებით). 1854 შეიმუშავა ალუმინის საწარმოო მიღების ხერხი, რ-საც იყენებდნენ XIX ს. ბოლომდე. 1855—59 ფრანგ ქიმიკოს ჟ. დებრესთან ერთად შეიმუშავა ნედლი პლატინის გასუფთავების მეთოდები. 1872 ზომა-წონის საერთაშ. კომისიის დავალებით დაამზადა პლატინის და ირიდიუმის (10%) შენადნობი, რ-ისგანაც დამზადდა მეტრისა და კილოგრამის საერთაშ. ეტალონები.

სენტ-კლერი (Saint Clair), მდინარე ჩრდ. ამერიკაში, *დიდი ტბების* სისტემაში. სიგრძე 43 *კმ*. გამოდის ჰურონის ტბიდან, ჩადის სენტ-კლერის ტბაში. წარმოადგენს საზღვარს აშშ-სა და კანადას შორის. წყლის საშ. ხარჯი 5270 $მ^3/წმ$. ს.-კ. არის დიდი ტბების სანაოსნო გზის ნაწილი. შესართავთანაა ქ-ები პორტ-ჰურონი (აშშ) და სარნია (კანადა).

სენტ-კრისტოფერი (სენტ-კიტსი) და ნევისი, სენტ-კრისტოფერისა და ნევისის ფედერაცია (The Federation of Saint Christopher and Nevis), სახელმწიფო ვესტინდოეთში, კარიბის ზღვის აღმ. ნაწილში. ფართ. 261,6 *კმ*². მოსახლ. 44,4 ათ. კაცი (1980). დედაქალაქი — ბასტერი (15 ათ. მცხ., 1980). ოფიც. ენა — ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 19 სექტ. — დამოუკიდებლობის დღე (1983). ფულის ერთეულია აღმ. კარიბის დოლარი. 2,7 აღმ. კარიბის დოლ.=1 აშშ-ის დოლარს (1982).

სენტ-კრისტოფერისა (სენტ-კიტსი) და ნევისის კ-ები აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა 1493. კ-ები 1625-იდან დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. 1958—62 კ-ები შედიოდა ვესტინდ. ფედერაციის შემადგენლობაში. 1967 წ. 27 თებ-იდან მიიღო „დიდ ბრიტანეთთან ასოცირებული სახელმწიფოს“ სტატუსი. 1983 წ. 19 სექტ. — მიიღო დამოუკიდებლობა. 1982 კონსტიტუციით ფედერაცია კონსტ. მონარქიაა. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის დედოფალი, რ-ის წარმომადგენელი კ-ებზე არის გენ.-გუბერნატორი. პრემიერ-მინისტრი, საგარეო და შინაგან საქმეთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრია კ. ა. სიმონდზი.

კ-ები სენტ-კრისტოფერი და ნევისი შედის მცირე ანტილის კ-ების არქიპელაგის ქარბურგა კ-ების ჯგუფში. ზედაპირის თითქმის ნახევარი მთიანია. სიმაღლე 1155 *მ*-მდე (ვულკანი მიზერი). ჰავა სუბეკვატორულია. ნალექები 500—600 *მმ* წელიწადში.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ. და ტურისტების მომსახურება. მოჰყავთ შაქრის ლერწამი (310 ათ. ტ, 1981), ბამბა, ბატატი, მანიოკი, ხილი და ბოსტნეული. აგროვებენ ქოქოსის კაკალს (2 ათ. ტ, 1981). 1981 ქვეყანაში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 8, ღორი — 20, ცხვარი — 24, თხა — 15. იჭერენ თევზს (1,9 ათ. ტ, 1981). არის ადგილ. სას.-სამ. ნედლეულის გადასამუშ. საწარმოები. ელექტროსადგურის სიმძლავრეა 14 ათ. *კვტ*, ელექტროენერგიის წარმოება 30 მლნ. *კვტ·სთ*. (1981). საავტ. გზების სიგრძეა 198 *კმ*, რკინიგზისა — 58 *კმ* (1981).


1980 ექსპორტმა შეადგინა 43,9 მლნ. აღმ. კარიბის დოლარი, იმპორტმა — 86,7 მლნ. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი იფარება უმთავრესად უცხოეთის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით (35,4 ათ. ტურისტი, 1981). გააქვთ ნედლი შაქარი, ბადაგი, ნედლი ბამბა. შეაქვთ სათბობი, სამრეწვ. საქონელი, სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, კანადა, აშშ.

სენტ-ლუისი (Saint Louis), ქალაქი აშშ-ის ცენტრ. ნაწილში, მისურის შტატში, მდ. მისისიპის ნაპირზე. 451 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 2,3 მლნ. (1981). დიდ ტბებსა და წყნაროკეანურ სანაპიროს შორის მდებარე რ-ნის უდიდესი სამრეწვ., სავაჭრო და სატრანსპ. ცენტრი. მნიშვნელოვანი სამდ. ნავსადგური. განვითარებულია მანქანათაშ., ქიმ., ნავთობგადასამუშ., მეტალ., მსუბუქი, კვების მრეწველობა. 2 უნ-ტი. ს.-ლ. დაარსეს ფრანგებმა 1764. ს.-ლ-ის რ-ნში იღებენ ტყვიის მადანს.

სენტ-ლუსია (Saint Lucia), სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე, კარიბის ზღვაში, მცირე ანტილის კ-ების სამხრ.-აღმ. ნაწილში. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 616 *კმ*². მოსახლ. 122 ათ. კაცი (1981). მოსახლ. უმრავლესობა ზანგი და მულატია. რელიგია— ქრისტიანობა (85% — კათოლიკე). დედაქალაქი — კასტრი (52 ათ. მცხ., 1979). ოფიც. ენა — ინგლისური, დიდი ნაწილი ლაპარაკობს ფრანგ. ენის ადგილ. დიალექტზე — პატუა. ეროვნ. დღესასწაულია 22 თებ.—დამოუკიდებლობის დღე (1979). ფულის ერთეულია აღმ. კარიბის დოლარი. 2,7 აღმ. კარიბის დოლ.=1 აშშ-ის დოლარს (1982).

ს.-ლ. კონსტ. მონარქიაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სენატსა და კრების პალატას. სახელმწიფოს

სენტ-ვინსენტი და გრენადინები



მეთაურია ინგლ. მეფის (დედოფლის) მიერ დანიშნული გენ.-გუბერნატორი. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ს.-ლ. შედის ქარპირა კ-ების ჯგუფში. ვულკ. წარმოშობისაა. რელიეფი უმთავრესად მთაგორიანია. სიმაღლე 950 *მ*-მდე (მთა ჟიმი). ჰავა ტროპ. პასატურია, ნოტიო. ნალექები დაახლ. 1500 *მმ* წელიწადში. არის ცხელი წყაროები. ნიადაგები ნოყიერია. მთაში შემორჩენილია მარადმწვანე ტროპ. ტყე.

ს.-ლ. ესპანელებმა XVI ს-ში აღმოაჩინეს. თითქმის ორი საუკუნე კუნძულისათვის იბრძოდნენ ფრანგები და ინგლისელები. საბოლოოდ ინგლისელები დაპატრონენ; 1814-იდან კ. სენტ-ლუსია ინგლ. სამფლობელოდ გამოცხადდა და გადაიქცა შაქრის ლერწმისა და ბამბის სანედლეულო ბაზად ბრიტ. იმპერიაში. 1967-იდან ს.-ლ-ს ჰქონდა დიდ ბრიტანეთთან ასოცირებული ქვეყნის სტატუსი. 1979 თებ. გამოცხადდა ს.-ლ-ს დამოუკიდებლობა. მალე ქვეყანაში დაძაბული ვითარება შეიქმნა ეკონ. მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო. ოპოზიციურმა ს.-ლ-ის ლეიბორისტულმა პარტიამ (შეიქმნა 1946) მკაცრად გააკრიტიკა გაერთ. მუშათა პარტიის (შეიქმნა 1964) ლიდერის ჯ. კომპტონის მთავრობა. 1979 ივლისში კომპტონი იძულებული შეიქნა დაენიშნა საკრებულო პალატის ვადამდელი არჩევნები. ხმების უმრავლესობა მიიღო ს.-ლ-ს ლეიბორისტულმა პარტიამ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ა. ლუისი. 1979 სექტ-ში ს.-ლ. გაეროს წევრი გახდა. 1981 წ. 30 აპრ. ს.-ლ-ის გენ.-გუბერნატორმა გამოაცხადა ა. ლუისის გადადგომა. ქვეყანა მღელვარებამ მოიცვა. 1982-იდან მთავრობას სათავეში კვლავ ჩაუდგა ჯ. კომპტონი.

ქვეყნის ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა და ტურისტების მომსახურება. მთლიანი შიგა პროდუქტის 32,7%-ს იძლევა (1980) მომსახურება (ტურიზმის ჩათვლით) და ვაჭრობა, 15,5%-ს — სახელმწ. ადმინისტრაცია, 15,7%-ს — სოფ. მეურნ. და თევზჭერა, 7,7%-ს — მრეწვ., დანარჩენს—სხვა დარგები. შრომისუნარიანი მოსახლ. 22% უმუშევარია.

მთავარი სას.-სამ. კულტურებია ბანანი (65 ათ. *ტ*, 1980), მანგო (43 ათ. *ტ*, 1980), კაკაო, ციტრუსები, შაქრის ლერწამი, ყურძენი, ბრინჯი, მანიოკი, ბატატი, ბამბა. აგროვებენ ქოქოსის კაკალს (38 ათ. *ტ*, 1980). 1981 ქვეყანაში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 11, ღორი—10, ცხვარი—13, თხა—10. იჭერენ თევზს. (2,4 ათ.*ტ*, 1981). ვითარდება მრეწველობა. აწარმოებენ კოპრს (6 ათ *ტ*, 1981), სპაპონს, კოპრის ზეთს, რომს, წვენებს, მუყაოს, სიგარეტებს, ქსოვილებს და სხვ. ელექტროსადგურის სიმძლავრეა 16 ათ. *კვტ*, ელექტროენერგიის წარმოება—58 მლნ. *კვტ·სთ* (1980). საავტ. გზების სიგრძეა 850 *კმ* (1980). 1980 ავტოპარკში იყო 5,3 ათ. ავტომობილი. მთავარი ნავსადგურია კასტრი. არის 2 აეროპორტი.

1979 ექსპორტმა შეადგინა 76,7 მლნ. აღმ. კარიბის დოლარი, იმპორტმა — 273,2 მლნ. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი იფარება უმთავრესად უცხოეთის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით (109 ათ. ტურისტი, 1980). გააქვთ ბანანი (ექსპორტის 53%), აგრეთვე კოპრი, ქოქოსის ზეთი, კაკაო, ციტრუსები, რომი. შეაქვთ ფართო მოხმარების საგნები, სათბობი, მოწყობილობა (სატრანსპ. საშუალებათა ჩათვლით), სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, კარიბის გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები, აშშ.

სენტო, ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (Central Treaty Organization — CENTO), სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება ახლო და შუა აღმოსავლეთში. შეიქმნა დიდი ბრიტ. და აშშ-ის ინიციატივით. მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთი, ირანი, პაკისტანი (ორივე გამოვიდა 1979) და თურქეთი. აშშ ფორმალურად არ ითვლება ს-ს წევრად, თუმცა მონაწილეობს მისი მთავარი კომიტეტების მუშაობაში. ს-ს საფუძველი ჩაუყარა 1955 წ. 24 თებ. ერაყსა (1958 გამოვიდა ორგანიზაციიდან) და თურქეთს შორის ხელმოწერილმა პაქტმა, რ-საც დიდი ბრიტანეთი, პაკისტანი და ირანი შეუერთდნენ. 1959 აშშ-მა ირანთან, პაკისტანთან და თურქეთთან ხელი მოაწერა პირდაპირი და არაპირდაპირი „კომუნისტური აგრესიის" წინააღმდეგ ორმხრივ „შეთანხმებებს თანამშრომლობის შესახებ". ს-ს მთავარი ორგანოებია მუდმივი მინისტრთა საბჭო, სამდივნო და 4 კომიტეტი. ს-ს ჰყავს სამხ. დაგეგმვის გაერთიანებული შტაბი. შტაბ-ბინა ანკარაშია. 1979 ირანისა და პაკისტ. ორგანიზაციიდან გასვლის შემდეგ თურქ. მთავრობამ წამოაყენა წინადადება მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. ს. პრაქტიკულად აღარ არსებობს 1970 აგვ-დან.

სენტ-პიტერზბერგი (Saint Petersburg), ქალაქი აშშ-ში, ფლორიდის შტატში. 234 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური. კვების და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები. დაარსა ამერ. უილიამზმა და რუსეთიდან გადმოსულმა პ. დემენტიევმა XIX ს. ბოლოს. ს.-პ. ეწოდა სანქტ-პეტერბურგის სახელის მიხედვით. კურორტი. ტურიზმი.

სენტ-პოლი (Saint Paul), ქალაქი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში, მინესოტის შტატის ადმ. ცენტრი. 268 ათ. მცხ., ქ. მინეაპოლისსა და გარეუბნებთან ერთად — 2,1 მლნ. (1980). ნავსადგური მდ. მისისიპის მარცხ. ნაპირზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. დიდი სავაჭრო-საფინანსო და სამრეწვ. ცენტრი. სატრანსპ. მანქანათმშ., ელექტროტექ., ქიმ., კვების, ხის დასამუშ. მრეწველობა. უნ-ტი.


სენტ-ჯონი (Saint John), ქალაქი აღმ. კანადაში, ნიუ-ბრანსუიკის პროვინციაში. 81 ათ. მცხ. (1981). გაუყინარი ნავსადგური ატლანტის ოკ. სანაპიროზე, მდ. სენტ-ჯონის შესართავში. რკინიგზის სადგური. მეტალ., ლითონდასამუშ., ნავთობგადასამუშ., შაქრის, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. დაარსდა 1635.

სენტ-ჯორჯზი (Saint George's), გრენადის დედაქალაქი. გაშენებულია კ. გრენადის დას. ნაპირზე, 188 *მ*. სიმაღლეზე. ჰავა სუბეკვატორულია. საშ. თვიური ტემპ-რები 26°C, ნალექები 1959 *მმ* წელიწადში. 35 ათ. მცხ. (1981). ნავსადგური კარიბის ზღვის სანაპიროზე. გააქვთ კაკაო, ჯავზი, ბანანი. კვების მრეწველობა.

სენტ-ჯონზი (Saint John's), ანტიგუა და ბარბუდის (ვესტინდოეთი) დედაქალაქი. გაშენებულია კ. ანტიგუაზე. 32 ათ. მცხ. (1981). ნავსადგური. შაქრის, რომის, ნავთობპროდუქტების წარმოება. ბამბის წმენდა. გააქვთ შაქარი, ბამბა, ნავთობპროდუქტები.

სენტ-ჯონზი (Saint John's), ქალაქი აღმ. კანადაში, ნიუფაუნდლენდის პროვ. ადმ. ცენტრი. 84 ათ. მცხ. (1981). ნავსადგური ფანდის ყურის (ატლანტის ოკ.) სანაპიროზე. კ. ნიუფაუნდლენდის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. თევზის გადამუშავება, ჯავი მეტალურგია, ლითონდამუშავება, ნავთობგადამუშავება, გემების რემონტი. თევზსაჭერი ბაზა.

სენტ-ჰელენზი (Saint Helens), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, მერსისაიდის საგრაფოში. 99 ათ. მცხ. (1981). გაშენებულია ლანკაშირის ქვანახშირის აუზის მახლობლად. კვარცის ქვიშის საბადოსთან.




მინის დიდი წარმოება, ქიმ. მრეწვ., ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა.

სენუსერტი (ეგვ. Snws'rt, ბერძნ. Sesostris), XII დინასტიის (შუა სამეფო) ფარაონები ძვ. ეგვიპტეში. **ს. I**, მე-2 ფარაონი ძვ. წ. 1971—ძვ. წ. 1930, ამენემჰეტ I-ის ძე. ატარებდა დამპყრობლურ პოლიტიკას სამხრეთის მიმართულებით, შეიერთა ნუბია მდ. ნილოსის II ჭორომამდე. მოაწყო ექსპედიციები ლიბიის უდაბნოსა და არაბ. უდაბნოს ოქროს საბადოების რ-ნებში. მის დროს განახლდა სამუშაოები სპილენძის საბადოებში სინის ნ.-კ-ზე, ატარებდა ქვეყნის ცენტრალიზაციის პოლიტიკას. **ს. II**, დინასტიის მე-4 ფარაონი. მის შესახებ ცნობები არ არის. **ს. III**, ფარაონი ძვ. წ. 1878—1841, ს. II-ის ძე. განამტკიცა ეგვ. ბატონობა ნუბიაში. ნილოსის II ჭორომთან მდინარის ორივე მხარეს მძლავრი თავდაცვითი კედლები ააგო. შემოერთებულ ტერიტორიებთან ურთიერთობის გასაადვილებლად გათხარა არხი, რ-ითაც გემები I ჭორომს უვლიდნენ გვერდს.

სენუსია, მუსლიმანური რელიგიურ-პოლიტიკური ორდენი. 1837 დააარსა მუჰამად იბნ ალი ალ-სენუსიმ (1787 ან 1791—1859) მექაში. 1843 თავისი მოღვაწეობა გააგრძელა კირენაიკაში (ლიბია). ორდენის წევრები — სენუსიტები მოუწოდებდნენ თავდაპირველი ისლამის „სიწმინდის" აღდგენისა და ურწმუნოთა წინააღმდეგ „საღმრთო ომისაკენ". XIX ს. შუა წლებიდან მეთაურობდა ლიბიელთა ბრძოლას თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. 1911—31 მონაწილეობდა იტალ. კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში. ს-ის იდეების მიმდევრები არიან (გარდა ლიბიისა) ალჟირში, ნიგერში, ჩადში, სუდანსა და აფრ. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

სენუშო, სპილოს ძვლის ნაპირის რეს. პუბლიკის ჩრდ. ნაწილში, მალის სამხრ.-აღმ. და ზემო ვოლტის სასაზღვრო რ-ნებში მცხ. ხალხი. საერთო რაოდ. 2,5 მლნ. კაცი (1978, შეფასება). ენა განე-

სენტ-ლუსია



კუთვნება გურის (ცენტრ. ბანტოიდურ) ჯგუფს. უმრავლესობა ინარჩუნებს ძვ. ტრად. რწმენებს, ნაწილი მუსლიმანია. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

სენიუს მორი, იხ. *ბრეპონთა კანონები.*

სეპარატისტები, გერმანელი სექტანტები, რ-ებიც გადმოსახლდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1817—18. ცხოვრობდნენ 1941-მდე. იხ. აგრეთვე *ქილიაზმი.*

სეპარატორი (ლათ. separator — განმაცალკევებელი), 1. მყარი ან თხევადი სხეულების მექანიკური ნარევების გასაცალკევებელი, მათი მინარევების მოსაცილებელი, აირიდან მყარი ან თხევადი ნაწილაკების გამოსაყოფი აპარატი. ემულსიების გასაყოფად და სითხეების დასაწმენდად იყენებენ ცენტრიდანული ტიპის ს-ს, აირის მექან. წმენდისათვის და მისგან მყარი ან თხევადი ნაწილაკების გამოსაყოფად — აირის სეპარატორებსა და ციკლონებს, მარცვლისაგან მინარევების გამოსაყოფად კი — ისეთ ს-ებს, რ-ებიც მუშაობენ საცრების, აირის, ჭავლის, მაგნიტებისა და სხვათა მეშვეობით. ს-ს იყენებენ ქიმ. მრეწველობაში სხვადასხვა ნარევის გასაყოფად და გასაწმენდად; სამხმილო მრეწველობაში საფალიო და საკოპე ნარევების გასაწმენდად და მოსამზადებლად და სხვ.; ყველაზე მეტად გავრცელებულია მაგნ., ზეთისა და რძის ს-ები.

მაგნ. ს-ს იყენებენ სასარგებლო მინერალების გამოსაცალკევებლად ფუჭი ქანებისა და მინარევებისაგან (იხ. *მაგნიტური გამდიდრება*). ამ ტიპის ს-ში გამოყენებულია მაგნ. ველის ზემოქმედება სხვადასხვა მაგნ. ამთვისებლობის მინერ. ნაწილაკებზე. მძლავრი მაგნ. ს-ების მწარმოებლურობაა 500 *ტ/სთ*-მდე (ნატეხი მადნისათვის) და 200 *ტ/სთ*-მდე (წმინდად დაწვრილმანებულისათვის).

ზეთის ს. ცენტრიფუგის მეთოდით ზეთიდან გამოყოფს წყალსა და მექან. მინარევებს; იყენებენ საკბები და მაცივებელი სითხეების გასაწმენდად. მათი მწარმოებლურობაა 1500—2000 *ლ/სთ.*

რძის ს. განკუთვნილია რძის გასაწმენდად და მისგან ნაღების გამოსაყოფად. მისი ძირითადი ნაწილია დოლი, რ-ის ბრუნვის სიხშირეა 100—200 $წმ^{-1}$ (6—12 *ათ. ბრ/წთ*). დოლში დამონტაჟებული კონუსური თეფშებისსისტემა რძეს ფენებად ყოფს. თეფშების ნახვრეტებით შექმნილი ვერტ. არხებიდან გამოედინება რძე თეფშებს შორის სივრცეში, სადაც ცენტრიდანული ძალის მოქმედებით ნაღები გამოიყოფა. ასეთი ს-ების მწარმოებლურობაა 25 *ათ. ლ/სთ.*

2. ლითონის ან პლასტმასის გარსაკრი, რ-საც აქვს ბურთულების ან გორგოლაჭების ზომის ამონაჭრები; იყენებენ საკისრებში მათი ერთმანეთისაგან განსაცალკევებლად. ს-ს უმეტესად ამზადებენ შტამპვით ფოლადის ლენტისაგან.

3. ბოჭკოვანი მინის, ხის, პოლივინილქლორიდის, პარონიტისა და სხვა მასალისაგან დამზადებული მოცვანილი, პერფორირებული ან ფორიანი ფირფიტები, რ-ებსაც იყენებენ მამწოლოებელ შუასადებებად.

სეპარატული ზავი, ზავი, რ-საც კოალიციაში მყოფი მეომარი სახელმწიფო თავის მოკავშირეებთან შეუთანხმებლად დებს მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან. ამ ტერმინს იყენებდნენ I მსოფლიო ომში (1914—18), როცა გერმ. კოალიციის ქვეყნებმა რამდენჯერმე სცადეს ასეთი ზავის დადება.

სეპარაცია (ლათ. separatio — გამოყოფა) ტექნიკაში, მყარი მასალის ნარევგაროვანი ნაწილაკების ნარევის, სხვადასხვა სიმკვრივის სითხეების ნარევის, ემულსიების განცალკევების, აგრეთვე აირიდან ან ორთქლიდან მყარი ნაწილაკების ტიტივარების ან წვეთების გამოყოფის პროცესი. ს-ისას განცალკევებული კომპონენტები არ იცვლიან თავიანთ ქიმ. შედგენილობას. ს. ემყარება ნარევის კომპონენტების ფიზ. ან ფიზ.-ქიმ. თვისებების სხვაობას.

სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებისას მინერალების განცალკევების ყველა ოპერაცია შეიძლება მიეკუთვნოს ს-ს. მაგ., ს. საჰაერო ან პნევმ., მაგნ., ელექტრული, რადიომეტრული, ხახუნითა და სიმკვრივის მიხედვით და სხვ.

მინერალების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი თვისებები ყოველთვის არ ემთხვევა იმ ნიშან-თვისებებს, რ-ებითაც შესაძლებელია კომპონენტების განცალკევება. ს-ის ხერხის შერჩევისას შეისწავლიან გასაყოფი ნარევის შედგენილობას, კომპონენტების თვისებებსა და სასურველი ნიშან-თვისების შესაბამისობას განცალკევების შესაძლებელ ხერხებთან. ს. საერთოდ მიმდინარეობს ნარევის კომპონენტების განმასხვავებელი თვისებების მიხედვით. ამიტომ იგი დამოკიდებულია პროცესის ჩატარების პირობებსა და იმ აპარატზე (სეპარატორზე), რ-შიც მიმდინარეობს განცალკევება.

სოფ. მეურნეობაში ს. ეწოდება მარცვლეულის გადამუშავებისას წარმოებულ განცალკევების ოპერაციებს, რ-ებიც ტარდება მარცვლების ზომებსა და ფორმებს, სიმკვრივეებს, ხახუნის კოეფიციენტებსა და სხვ. შორის არსებული სხვაობის გამო.

სეპია, 1. Sepia — თავფეხიანი მოლუსკების გვარი. იგივეა, რაც *სიპიონი.* 2. ღია ყავისფერი საღებავი ნივთიერება. ნატურალური ს. მზადდებოდა ზღვის მოლუსკ სიპიონისაგან. XX ს-ში აკვარელის ტიპის საღებავი ს. (გამოირჩევა ფერთა გამის მრავალფეროვნებით) მიიღება ხელოვნურად. ს-ს უწოდებენ აგრეთვე გრაფ. ტექ. სახეობას, რ-იც XVIII ს. შუა წლებში გავრცელდა ევროპაში (ო. ფრაგონარი საფრანგეთში და სხვ.).

სეპირი (Sapir) ედუარდ (26. I. 1884, ლაუენბურგი, გერმანია, — 4. II. 1939, ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი, აშშ), ამერიკელი ენათმეცნიერი და ეთნოლოგი. ამერ. ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკად. წევრი. დაამთავრა კოლუმბიის უნ-ტი (1904). იყო ჩიკაგოს (1927—31), იელის (1931-იდან) უნ-ტების პროფესორი, ამერ. საენათმეცნ.-ლინგვისტურ (1933) და ანთროპოლ. (1938) საზ-ბათა პრეზიდენტი.

ს-ის ძირითადი ნაშრომები ეხება ზოგადი ენათმეცნ. და ამერ. ინდიელთა ენების საკითხებს. ს. ითვლება „ეთნოლინგვისტიკისა" და ამერ. სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი შეხედულებები საინტერესოა თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკისა და პერცეფციული ფონეტიკის პრობლემათა თვალსაზრისითაც.

თხზ.: The Takelma language of Southwestern Oregon, Wash., 1912; Sound patterns in language, «Language», 1925, v. 1, № 1; Язык, М.—Л., 1934. *ი. ქობალავა.*

სეპტაკორდი (მუს.), ტერციებად განლაგებული 4 ბგერისაგან შედგენილი აკორდი. ს-ის ძირითადი სახეა ს., რ-საც მთავარი ტონი აქვს ბანში. თუ ბანში შედის სხვა ბგერებიც, მაშინ იქმნება ე. წ. ს-ის შებრუნებები. პირველ შებრუნებას, რ-საც ბანში აქვს ტერციული ტონი, ეწოდება კვინტსექსტაკორდი. მეორე შებრუნება— კვინტური ტონით ბანში — ეწოდება ტერცკვარტაკორდი, მესამე შებრუნება — სეკუნდური ტონით ბანში — სეკუნდკვარტაკორდი. ბგერითი შემადგენლობის მიხედვით არსებობს დიდი და მცირე ს. 3 ტერციისგან შედგენილ ს-ს ეწოდება შემცირებული ს.

სეპტეტი (< ლათ. septem < შვიდი), შვიდი შემსრულებლისაგან შემდგარი მუსიკალური ანსამბლი. აგრეთვე მუს. ნაწარმოები ამ ანსამბლისათვის.

სეპტიკი (ინგლ. septic < ბერძნ. sēptikos — ლპობითი, ჩირქოვანი), ცალკეული შენობებისა და ნაკლებად დასახლებული ადგილების მომსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობა, რ-იც წმენდს მცირე რაოდენობის (25-მდე $მ^3/დღ-ღ$) საყოფაცხოვრებო *ჩამდინარე წყალს.* ჰორიზ. ტიპის მიწისქვეშა *სალექარი,* რ-შიც გაივლის ჩამდინარე სითხე. ს-ში რჩება შეტივტივებული ნივთიერება 90%-მდე, რ-იც განიცდის ლპობას. ს-ში დამუშავებულ ჩამდინარე წყალს შემდგომ ბიოლოგიურად წმენდენ.

სეპტიმა (ლათ. septima — მეშვიდე) მუსიკაში, ერთ-ერთი *ინტერვალი* ან ერთ-ერთი *საფეხური.*

სეპტოლი (< ლათ. septimus — მეშვიდე) მუსიკაში, რიტმული ფიგურა. იხ. *რიტმული დაყოფა.*

სეპტორიოზი, მცენარეთა სოკოვანი დაავადება, რ-საც იწვევს septoria-ს გვარის სოკოები. ავადდება მარცვლოვნები, პამიდორი, მწიანე ბოსტნეული, ვაზი, სოია, ფეტვი, კანაფი და სხვ. დაავადება ვლინდება უმეტესად ფოთოლზე ყავისფერარშიიანი თეთრი ან ნაცრისფერი, მომრგვალო, დაკუთხული ან წაგრძელებული ლაქების სახით. სპორა ვრცელდება და მცენარეს ახიანებს ტენიან ამინდში. ძლიერ დაავადებული ფოთოლი და ყლორტი ხმება, ტოტი მუქდება, ნაოჭდება და ხშირად იღუნება; მარცვლოვნებში მარცვალი გაწუვითარებელი რჩება. ბრძოლის ღონისძიებანი: მცენარეული ნარჩენების მოსპობა, თესლბრუნვის გამოყენება, ფუნგიციდების შესხურება, გამძლე ჯიშების შერჩევა, სრული მინერ. სასუქის გამოყენება. *შ. ძაგნიძე.*

სერა (Seurat) ჟორჟ პიერ (2. XII. 1859, პარიზი, — 29. III. 1891, იქვე), ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი. *ნეოიმპრესიონიზმის* (*დივიზიონიზმი, პუანტილიზმი*) ფუძემდებელი და ლიდერი. სწავლობდა პარიზის ხატიფი ხელოვნ. სკოლაში (1878—79). ხატავდა დიდფიგურებიან კომპოზიციებსა და პეიზაჟებს. სწავლობდა ფერისა და შუქის კანონებს. ს-ს დახვეწილი ნახატი გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით. ქმნიდა დასრულებულ მონუმ.-დეკორ. კომპოზიციებს, რ-თაც „მოდერნის" ელფერი დაჰკრავთ. მის ნახატებში იგრძნობა ავტორის ფაქიზი ინტელექტუალიზმი, ყოველი კომპონენტის ანალიტიკური განჭვრეტა („საკვირაო გასეირნება კუნძულ გრანდ-ჟატზე", 1886, ხელოვნ. ინ-ტი, ჩიკაგო; „ცირკი" 1891, იმპრესიონიზმის მუზეუმი, პარიზი და სხვ.). ს-ს შემოქმედებამ დიდი ზეგავლენა იქონია XX ს. პირველი მეოთხედის მხატვრებზე.

სერა-და-ეშტრელა (Serra da Estrella), ქედი პორტუგალიის ცენტრ. ნაწილში. სიგრძე 80 *კმ,* სიმაღლე 1991 *მ*-მდე (მთა ეშტრელა); *მესეტის* დას. ამაღლებული ნაწილი. კალთები ციცაბოა და მდებით დასერილი. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ბუჩქოვანი და ტყის მცენარეულობა, მდელოები. არის ვოლფრამის, კალისა და ურანის საბადოები.

სერაიე (Serraillier) ოგიუსტ დანიელ (27. VII. 1840, დრაგინიანი, ვარის დეპარტ., — გ. წ. უცნობია), ფრანგი სოციალისტი. ბავშვობიდან დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა. 1869 შემდგომიდან I ინტერნაც. გენ. საბჭოს წევრი. კ. მარქსის წინადადებით 1870 აირჩიეს I ინტერნაც. მდივან-კორესპონდენტად ჯერ ბელგიისა და შემდეგ ჰოლანდიისა და ესპანეთისათვის. 1870 სექტ. რევ. შემდეგ პარიზში გაგზავნეს I ინტერნაც. პარიზის სექციების ხელმძღვანელობისათვის. დამატებით არჩევნებზე პარიზის კომუნის წევრად აირჩიეს. კომუნის დაშლის შემდეგ ლონდონში დაბრუნდა, ვერსალის სამხ. სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. მონაწილეობდა I ინტერნაც. ლონდონის **კონფე-**

რენციისა (1871) და ჰააგის კონგრესის (1872) მუშაობაში.

სერაჯები [ფრანგ. sérac (მხ. რ.)], ბასრი ყინულოვანი კბილანები მყინვარის ზედაპირზე. წარმოიქმნება ყინულვარდნილის არეში ნაპრალებს შორის არსებული ტიხრების დანგრევისა და არათანაბარი გადნობის შედეგად.

სერამი (Ceram), კუნძულთშორისი ზღვა მალაის არქიპელაგის კ-ებს — სერამს, ბურუს, სულას, ობის, მისოოლსა და ახალ გვინეას შორის. ფართ. 161 ათ. კმ², საშ. სიღრმე 1074 მ, მაქს. — 5319 მ. გრუნტი ქვიშიანი ლამია. ნაპირებთან ბევრია რიფი. წყლის საშ. ტემპ-რა ზედაპირზე 27—28°C, მარილიანობა დაახლ. 34‰. მოქცევა არასწორი ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1,7—2,3 მ.

სერამი (Ceram), კუნძული მალაის არქიპელაგის აღმ. ნაწილში, მოლუკის კ-თა ჯგუფში. ინდონეზიის ტერიტორია. ფართ. 17,1 ათ. კმ², მიმდებარე კ-ებიანად 18,7 ათ. კმ². ზედაპირი მთიანია. სიმაღლე 3019 მ-მდე (მთა ბინაია). დაბლობს უჭირავს სანაპირო ვიწრო ზოლი. ჰავა ნოტიო ეკვატორულია. ჰაერის ტემპ-რა მთელი წლის მანძილზე 25—27°C. ნალექები 2000—4000 მმ წელიწადში. ხარობს ნოტიო სუბტროპ. ტყე, სამხრ-ით მუსონური ზაფხულმწვანე ტყის უბნებია. კუნძულზე არის ქოქოსისა და საგოს პალმის, პილპილის, შაქრის ლერწმის, დარიჩინის, ყავის, კაკაოს, მანგოს პლანტაციები. თევზჭერა. ჩრდ. ნაპირზეა ნავსადგური ვაჰაი.

სერაო (Serao) მატილდა (7. III. 1856, პატრასო, — 25. VII. 1927, ნეაპოლი), იტალიელი მწერალი ქალი. *ვერიზმის* წარმომადგენელი. თავდაპირველად მძაფრი სოც. ჟღერადობის ნაწარმოებებს წერდა (ნოველები „ჯოვანინო ან სიკეთილი", 1889, ნარკვევების კრებ. „ნეაპოლის სტომაქი", 1884), შემდეგ ფსიქოლ. პრობლემებმა გაიტაცა; გამოაქვეყნა რომანები „ფანტაზია" (1883), „მშვიდობით, სიყვარულო!" (1890), „შეყვარებულები" (1894), ნოველების კრებ. „ვნების ყვავილი" (1888) და სხვ.

სერაპიონ ზარზმელი, IX ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ზარზმის მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი (აქედან მიიღო ზედწოდება ზარზმელი). მისი ცხოვრება-მოღვაწეობა აღწერა *ბასილი ზარზმელმა*. ს. ზ. წარმოშობით სამხრ. საქართველოდან, კლარჯეთიდან იყო. ადრე დაობლდა: როცა წამოიზარდა, მიატოვა სახლი და დაემკვიდრა პარეხის მონასტერში, დაემოწაფა მიქაელ პარეხელს. პარეხში ს. ზ-მა ბრწყინვალე საეკლ. განათლება მიიღო; შემდეგ მიქაელის დავალებით გაემგზავრა სამცხეში თავის ძმასთან იოვანესთან და ოთხ სხვა თანამოღვაწესთან ერთად. იქ დააარსა ზარზმის მონასტერი — შემდგომში ქართ. კულტ. მნიშვნელოვანი კერა, სადაც მოღვაწეობდა ღრმა მოხუცებულობამდე და სადაც არის დასაფლავებული.

ლიტ.: ეაჩნაძე ნ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975; თაყაიშვილი ე., შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ. «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1919, ტ. 1; კეკელიძე კ., ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ტფ., 1935; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977; ჯანაშვილი მ., ქართული მწერლობა, ტ. 2, ტფ., 1909. იხ. აგრეთვე სტ-თან ბასილი ზარზმელი. შ. ონიანი.

„სერაპიონის ძმები", ლიტერატურული დაჯგუფება რუსეთში. შეიქმნა 1921 პეტროგრადში, გამომც. „ვსემირნაია ლიტერატურასთან". მასში შედიოდნენ ვ. ივანოვი, მ. სლონიმსკი, მ. ზოშჩენკო, ბ. კავერინი, კ. ფედინი, ნ. ტიხონოვი და სხვ. ჯგუფში არ იყო იდეურ-მხატვრული ერთიანობა. ახასიათებდა აპოლიტიკურობაც, ფორმალისტური ძიებებიც, არც რეალიზმისადმი ინტერესი იყო უცხო. დაჯგუფების ბევრი წევრი შემდგომში საბჭ. მწერლობის დიდოსტატი გახდა.

სერასკერი (თურქ. sarasker): ოსმალეთის იმპერიაში თავდაპირველად არმიის მთავარსარდალი, XIX ს-ში — სამხედრო მინისტრი. XVI ს. ბოლოდან ს-ის ტიტულს ატარებდნენ დიდი ვეზირის მოადგილეები, რ-ებიც ჯარებს ხელმძღვანელობდნენ. ს-ის ტიტული გაუქმდა XX ს. დასაწყისში.

სერაფიმოვიჩი (ნამდვ. გვარი პოპოვი) ალექსანდრე სერაფიმის ძე [7 (19). I. 1863, სტანიცა ნიჟნეკურმოიარსკაია, ახლანდ. როსტოვის ოლქი, — 19. 1. 1949, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943). სკკპ წევრი 1918-იდან. სწავლობდა პეტერბ. უნ-ტში (1883—87). მისი პირველი გამოქვეყნებული მოთხრობებია „ყინულზე" (1889) და „ტივებზე" (1890), რ-ებსაც მიესალმნენ გ. უსპენსკი და ვ. კოროლენკო. ს-ის რევოლუციამდელი შემოქმედება ასახავდა მშრომელთა დუხჭირ ცხოვრებას. 1905—07 რევოლუციამ ს-ის შემოქმედება გაამდიდრა ახ. ასპექტებით („პრესნიაზე", „ღამით", „ბომბები"). კაპიტალიზმს, ბურჟ. ლიბერალიზმსა და დეკადენტიზმს ამხელდა რომანი „ქალაქი ტრამალზე" (1912), კერძომესაკუთრულ ინსტინქტებს — მოთხრ. „რიყე" (1908), რ-საც მაღალი შეფასება მისცა ლ. ტოლსტოიმ. ს. აღტაცებით შეეგება ოქტ. რევოლუციას. მისი მთავარი თხზულებაა „რკინის ნიაღვარი" (1924, ქართ. თარგმანი 1929), რ-მაც მწერალს სოციალ. რეალიზმის ერთ-ერთი კლასიკოსის სახელი დაუმკვიდრა. რედაქტორობდა ჟურნ. „ოქტიაბრს" (1926—29). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და 2 სხვა ორდენით.

ლიტ.: ბაქანიძე ო., ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, თბ., 1963.

სერაფიტი, ქართველი დიდებულის პიტიახშ *შეგახის* ასული (II ს.). ცოლად ჰყავდა ქართლის (იბერია) მეფის ხსეფარნუგის ეზოსმოძღვარს იოდმანგანს. გარდაიცვალა 21 წლისა. მოხსენიებულია *არმაზის ბილინგვაში*.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13.

სერაბაისი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (ვახანის სოფსაბჭო), მდ. ვახანისწყლის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 560 მ, ორჯონიკიძიდან 17 კმ, მარელისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 კმ. ვახანის კოლ-ბა (მევენახეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ვახანში (1 კმ). ბ-კა.

სერბები, ერი იუგოსლავიაში. რაოდ. 8,1 მლნ. (1978, აღწერა). კომპაქტურად ცხოვრობენ სერბიაში, აგრეთვე ბოსნიაში, ჰერცეგოვინისა და ხორვ. აღმ. რ-ებში. 180 ათ. სერბი ცხოვრობს საზღვარგარეთ — უმთავრესად რუმინეთსა და უნგრეთში, აგრეთვე აშშ-ში. ლაპარაკობენ სერბ.-ხორვ. ენაზე. მორწმუნეთა უმრავლესობა მართლმადიდებელია, ნაწილი — კათოლიკე, პროტესტანტი და მუსლიმანი. თანამედროვე ს-ის წინაპრები — სამხრ. სლავი ტომები, რ-ებიც ნაწილობრივ ადგილ. რომანიზებულ ილირიულ და თრაკიულ მოსახლეობას შეერწყნენ, VI—VII სს-ში ბალკ. ნ.-კ-ის ცენტრში ფართო ტერიტორიაზე განსახლდნენ. ლიტ-რაში სახელწ. „ს." პირველად IX ს-ში გამოჩნდა. ადრინდ. შუა საუკუნეებში ს-ის ფეოდ. სახელმწიფოს ჩამოყალიბება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, სტეფანე დუშანის მეფობაში (1331—55) კი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, მაგრამ 1389 ომში დამარცხების შემდეგ სერბიის მიწები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ოსმ. იმპერიის მორჩილებაში მოექცა. სერბი ხალხის ისტ. განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა თურქების ბატონობამ. XVIII ს-ში სერბიაში დაიწყო კაპიტალ. ურთიერთობის განვითარება. 1878 ს-მა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. XIX ს. III მეოთხედში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ს-ის ეროვნ. კონსოლიდაციის პროცესი. 1918 ს. და სხვა იუგოსლ. ხალხები გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოში — სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფოში (1929 წლიდან — იუგოსლავია), რ-შიც გაბატონებული ადგილი ეკავა ველიკოსერბულ ბურჟუაზიას. იუგოსლ. სახ. ფედერ. რესპუბლიკაში (1945), შემდეგ კი იუგოსლ. სფრ-ში ს. ფედერაციის ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი და მონოლითური ერია, რ-იც სოციალ. მშენებლობის პროცესში ავითარებს თავის ეროვნ. კულტურას.



ჟ. პ. სერა. „საკეირაო გასეირნება კუნძულ გრანდ-ჟატზე". ფრაგმენტი. 1884—86. ხელოვნების ინსტიტუტი. ჩიკაგო.



ა. სერაფიმოვიჩი.

სერბია (Србија), სერბიის სოციალისტური რესპუბლიკა (Социјалистичка Република Србија), რესპუბლიკა იუგოსლავიის (ისფრ) შემადგენლობაში. ს-ში შედის სოციალ. ავტონ. მხარეები *ვოევოდინა* და *კოსოვო*. მდებარეობს იუგოსლ. ჩრდ.-აღმ. და აღმ. ნაწილში, უმთავრესად დუნაისა და მისი შენაკადების აუზში. ფართობითა და მოსახლეობით ს. უდიდესია ფედერაციის რესპუბლიკებს შორის. ფართ. 88,4 ათ. კმ². მოსახლ. 9,3 მლნ. კაცი (1981). დედაქალაქი — ბელგრადი (1,5 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად, 1982). სხვა დიდი ქ-ებია: ნიში, ნოვი-სადი, სუბოტიცა, პრიშტინა.

ბუნება. ს-ის უმეტესი ნაწილი უჭირავს სერბიის მთიანეთსა და აღმ. სერბიის მთებს, ჩრდ. ნაწილი — შუა დუნაის ვაკის სამხრ. კიდეს, სამხრ.-დას. განაპირა ნაწილი — კოსოვო-პოლესა და მეტოხიის ქვაბულებს, რ-თა სამხრ-ით აღმართულია ქედი შარ-პლანინა (სიმაღლე 2640 მ-მდე). ს-ის უმაღლესი წერტილი (2764 მ) მდებარეობს კორაბის ქედზე, ალბ. საზღვარზე. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ტყვია-თუთიისა და სპილენძის მადანი, ქვანახშირი, ნავთობი, აირი. ჰავა ზომიერია, კონტინენტური იანვ. საშ. ტემპ-რა ვაკეზე 0°C, — 1°C. ივლ. 18—23°C. ნალექები 500—800 მმ წელიწადში (მთაში 1000 მმ-მდე). მთავარი მდ-ებია: დუნაი, სავა, ტისა, მორავა, დრინა. ტერიტ. დაახლ. 1/4 (განსაკუთრებით მთაში) დაფარულია ტყით, უმთავრესად წიფლნარით.

ისტორიული ნარკვევი. ს-ის ტერიტ. დასახლებული იყო უძველესი დროიდან. ბრინჯაოს ხანაში აქ ცხოვრობდნენ ილირიული, თრაკიული, უფრო გვიან — კელტური ტომები. რომაელთა მიერ ბალკა-



კ. სერგეევი.



ს. სერგეევ-ცენსკი.



ი. სერგელი. „მარსი". სულპტურული ჯგუფის „მარსი და ვენერას" ფრაგმენტი. ქვა. 1771—79. ერთვნული მუზეუმი. სტოკჰოლმი.



ა. სერდიუკი.

ებულია ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Методическое пособие по инженерно-геологическому изучению горных пород, М., 1968.

სერგეევი ვლადიმერ სერგეის ძე [16 (28). VI. 1883 — 8. I. 1941, მოსკოვი], ანტიკური ისტორიის საბჭ. მკვლევარი, პროფესორი, 1934—41 მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ძვ. ისტ. კათედრის გამგე იყო. ამავე წლებში მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ისტ. ინ-ტში. ეკუთვნის ძვ. საბერძნ. და რომის ისტ. პირველი სახელმძღვანელოები „ძველი საბერძნეთის ისტორია", „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები". სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1942).

თხზ.: История Древней Греции, М., 1939; Очерки по истории Древнего Рима, ч. 1—2, М., 1938.

სერგეევი თედორე ანდრიას ძე (1883—1921), იხ. *არტემი* თ. ა.

სერგეევი კონსტანტინე მიხეილის ძე [დ. 20. II (5. III). 1910, პეტერბურგი], საბჭ. ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი. სსრკ სახ. არტისტი (1957). 1930 დაამთავრა ლენინგრ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი და ჩაირიცხა ლენინგრ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში. 1946-იდან ამ დასის ბალეტმაისტერი, 1951—55 და 1960—70 მთავარი ბალეტმაისტერი. ს. პირველი შემსრულებელია რომეოს (პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა"), ევგენის (გლიერის „ბრინჯაოს მხედარი"), ლენის (ყარაევის „ქარიშხლის ბილიკით") და სხვ. პარტიებისა. ასრულებდა აგრეთვე მთავარ პარტიებს ჩაიკოვსკის, გლაზუნოვის, ადანისა და სხვ. ბალეტებში. 1946 დადგა პროკოფიევის ბალეტი „გერია" (სსრკ სახელმწ. პრემია, 1947). შექმნა გლაზუნოვის „რაიმონდას" ახ. რედაქცია (სსრკ სახელმწ. პრემია, 1949). დადგა ბალეტი ყარა ყარაევის „ქუხილის ბილიკით" (1958), ჩერვინსკის „პაშლეტი" (1970), გლაზუნოვის „წელიწადის დრონი" (1974) და სხვ. 1931-იდან ლენინგრ. ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგი, 1938—40 და 1973-იდან სახბატერო ხელმძღვანელი. სსრკ სახელმწ. პრემია (1946, 1951). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

სერგეევიჩი ვასილი ივანეს ძე (1832, ორიოლი, — 26. XI. 1910), რუსული სამართლის ისტორიკოსი, ისტორიულ-იურიდიული სკოლის წარმომადგენელი რუსეთში. 1868-იდან მოსკ. უნ-ტში სახელმწ. სამართალს ასწავლიდა; 1871-იდან მოსკ. უნ-ტის, 1872-იდან პეტერბ. უნ-ტის პროფესორი იყო. 1867 დაიცვა სამაგისტრო, 1871 — სადოქტორო დისერტაცია. თავის ნაშრომებში განიხილავდა რუს. სახელმწ. სამართ. ისტორიის, ძვ. რუს. მიწათმფლობელობის, ბატონყმობისა და სხვ. საკითხებს.

სერგეევ-ცენსკი (ნამდვ. გვარი სერგეევი) სერგეი ნიკოლოზის ძე [18 (30). IX. 1875, სოფ. პრეობრაჟენსკოე, ტამბოვის გუბ., — 3. XII. 1958, ალუშტა], რუსი საბჭ. მწერალი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). მის მოთხრობებსა („ბაღი", 1905; „მოძრაობა", 1910; „პრისტავი დერიაბინი", 1911) და რომანებში („ბაბაევი", 1907; „გარდასახვა", 1914) ასახულია რევოლუციამდელი რუს. საზ-ბის სხვადასხვა ფენის ყოფა-ცხოვრება. ს.-ც-ს მთავარი ნაწარმოებია მრავალტომიანი დაუმთავრებელი ეპოპეა „რუსეთის გარდასახვა", რ-შიც შეიდა 45 წლის განმავლობაში შექმნილი 12 რომანი, 3 მოთხრობა და 2 ეტიუდი. 1941 სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭა მწერლის ეპოპეას „სევასტოპოლის ალოობა" (1937—39). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სერგელი (Sergel) იუჰან ტობიას (28. VIII. 1740, სტოკჰოლმი, — 26. II. 1814, იქვე), შვედი მოქანდაკე. სწავლობდა სტოკჰოლმში პ. ლარშვეეკთან (1756—57) და პარიზში (1758-იდან). 1767—78 მუშაობდა იტალიაში. განიცადა ფრანგ. ბაროკოსა და ანტ. პლასტიკის გავლენა. XVIII ს. ევრ. სკულპტურაში კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ნამუშევრები: „მძინარე ფავნუსი" (მარმარილო, 1774, ეროვნ. მუზეუმი, სტოკჰოლმი), მეფე გუსტავ III-ის ძეგლი სტოკჰოლმში (ბრინჯაო, 1790—1808).

სერგი ბარნუკის ძე, ეგრისის (ლაზიკა) *პატრიკიოსი*. ბიზანტიელი მემატიანის თეოფანეს ცნობით, 697 ბიზანტიელებს აუჯანყდა და თავისი ქვეყანა არაბებს გადასცა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

სერგიევი პეტრე გრიგოლის ძე [28. VI (10. VII). 1893, სოფ. სრეტენსკოე, ახლანდ. კიროვის ოლქი, — 12. VII. 1973, მოსკოვი], საბჭ. პარაზიტოლოგი და ეპიდემიოლოგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944) და ვიცე-პრეზიდენტი (1957—60), სოციალ. შრომის გმირი (1963). სკკპ წევრი 1919-იდან. 1918 დაამთავრა ყაზანის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1934—69 იყო ტროპ. ინ-ტის (ამჟამად ვ. მარცინოვსკის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედ. ინ-ტი) დირექტორი, 1969-იდან — სამეცნ. კონსულტანტი. რსფსრ ჯანდაცვის კომისარი (1937). ს. ძირითადად შეისწავლიდა მალარიას და მასთან ბრძოლის მეთოდებს, ხელმძღვანელობდა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ხუთწლიანი გეგმის შემუშავებას, რ-ის განხორციელებამ უზრუნველყო სსრკ-ში მალარიის, როგორც მასობრივი დაავადების, ლიკვიდაცია. ჟურნ. „Медицинская паразитология и паразитарные болезни"-ის (1934, მოსკოვი) რედაქტორი. უნგრ. სრ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1960). სსრკ სახელმწ. პრემია (1946, 1952). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Малярия и борьба с ней в СССР, М., 1956 (თანაავტ.: А. И. Яхушева).

სერგიევსკის მინერალური წყლები, ბალნეოლოგიური და ტალახით სამკურნალო კურორტი კუიბიშევის ოლქში (რსფსრ); მდებარეობს დასახლება სერნოვოდსკის ტერიტორიაზე. ჰავა ზომიერად კონტინენტურია: ზაფხული თბილია (ივლ. საშ. ტემპ-რა 21°C), ზამთარი — ზომიერად ცივი (იანვარ. საშ. ტემპ-რა —14°C). ნალექები 425 *მმ* წელიწადში. სამკურნ. საშუალება: მინერ. წყაროების წყალი, რ-საც იყენებენ აბაზანებისათვის; შლამის ტალახი (სერნოეს, ტიოპლოეკის და მოლოჩკის ტბებიდან). სამედ. ჩვენება: საყრდენ-სამოძრაო ორგანოების, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის, გინეკოლ. დაავადებანი. არის სანატორიუმები, სააბაზანო შენობა, ტალახით სამკურნალო.

სერგიევი, სოფელი გეგეჭკორის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ბობოთი). ზ. დ. 140 *მ*, გეგეჭკორიდან 5 *კმ*. ე. ბედიას სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

სერგი რადონეჟელი (ერისკაცობაში ბართლომე კირილეს ძე) (დაახლ. 1321 — 25. IX. 1391), რუსი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე. *სერგის სამების ლავრის* დამფუძნებელი. გამოდიოდა დიდი მთავრის ძალაუფლების დამცველად. კულიკოვოს ბრძოლაში ხელი შეუწყო *დიმიტრი ივანეს ძე დონელს* მტრის წინააღმდეგ ძალების მობილიზებაში.

სერგიის სამების ლავრა, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მონასტერი. მდებარეობს მოსკ. ჩრდ-ით 71 *კმ*-ზე, დღევანდელ ზაგორსკში. XIV ს. შუა ხანებში დააარსა სერგი რადონეჟელმა. დროთა ვითარებაში მონასტრის ტერიტორიაზე აშენდა 50-ზე მეტი ნაგებობა, მ. შ. სამების (თეთრი ქვა, 1422—23; იკონოსტასი — ანდრეი რუბლიოვი და დანიელ ჩირნი) და მიძინების (1559—85; ფრესკები — 1684) ტაძრები, XV—XVIII სს. ეკლესიები, საავადმყოფოს პალატები ზოსიმესა და საბაოთის (1635—38) ეკლესიებით, სატრაპეზო სერგის ეკლესიით (1686—9?; ნარიშკინული სტილი), სამონასტრო ენაკების კორპუსები (XVII—XIX სს.). ანსამბლში შედის ხუთიარუსიანი სამრეკლო (1740—70), არქიტ. ი. შუმახერი და სხვ. 1917 რევ. შემდეგ ს.-ს. ლ-ში შეიქმნა ისტ.-სამხატვრო მუზეუმი (1920). 1940-იდან — მუზეუმ-ნაკრძალი. მუზეუმში დაცულია XIV—XVII სს. ძვ. რუს. ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნ., აგრეთვე XVII ს. — XX ს. დასაწყ. რუს. ხალხური ხელოვნ. მდიდარი კოლექციები, აბაჭ. პერიოდის დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. ნიმუშები და სხვ.

ლიტ.: Балдин В. И. Троице-Сергиева Лавра, М., 1958.

სერდიუკი ალექსანდრე ივანეს ძე [დ. 14 (27). VI. 1900, სოფ. ბზოვი (ახლანდ. ბარიშევკის რ-ნის კიევის ოლქი)], უკრაინელი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1951), პროფესორი (1946). სკკპ წევრი 1943-იდან. 1919 დაამთავრა კიევის ნ. ლისენკოს სახ. მუს.-დრამ. ინ-ტი. 1919—22 კიევის ტ. შევჩენკოს სახ. უკრ. სსრ I სახელმწ. თეატრის, ხოლო 1922-იდან ხარკოვის ტ. შევჩენკოს სახ. თეატრის მსახიობი (1957—62 დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი). როლები: ნაზარი (შევჩენკოს „ნაზარ სტოდოლია"), ეგორ ბულიჩოვი (გორკის „ეგორ ბულიჩოვი და სხვები"), პლატონი, კობზა, გროზა (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", „ესკადრის დაღუპვა", „დღიურის ფურცელი"), ნიკიტა კოჩერგას „იაროსლავ ბრძენი", სსრკ სახელმწ. პრემია, 1947), სერგეევი (დმიტრუკის „გენერალი ვატუტინი"; სსრკ სახელმწ. პრემია, 1948) და სხვ. 1930-იდან იღებენ კინოში. 1946-იდან ასწავლის ხარკოვის ხელოვნ. ინ-ტში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სერდობსკი, ქალაქი რსფსრ პენზის ოლქში, მდ. სერდობის (დონის აუზი) ნაპირზე. სერდობსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, პენზიდან 111 *კმ*. არის მანქანათსაშ., ელექტრონათურების, საათების და სხვა ქ-ნები. საღამის მანქანათმშ. და ზოოტექ. ტექნიკუმები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ს. ქალაქია 1780-იდან.

სერე (Sèrrai), ქალაქი ჩრდ.-აღმ. საბერძნეთში, აღმ. მაკედონიაში. სერეს ნომის ადმ. ცენტრი. 46,2 ათ. მკხ. (1981). სას.-სამ. რ-ნის ცენტრი. კვების, საფეიქრო, ქიმ. და ლითონგადასამუშ. მრეწველობა. ს-ს რ-ნში იღებენ ლიგნიტს.

სერებრიაკოვა გალინა იოსების ასული [7 (20). XII. 1905, კიევი, — 30. VI. 1980], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1919-იდან. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1925-იდან. შექმნა მეცნ. კოჟუნიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მხატვრული სახეები: ტრილოგია „პრომეთე" („მარქსის სიჭაბუკე", წგნ. 1—2, 1933—34; „ცეცხლის მოტაცება", 1961; „ცხოვრების მწვერვალები", 1962), რომანი „წინამორბედი" (1965). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

სერებრიაკოვა ზინაიდა ევგენის ასული [30. XI (12. XII). 1884, სოფ. ნესკუჩნოე, ახლანდ. კურსკის ოლქი, — 19. IX. 1967, პარიზი], რუსი ფერმწერი. ე. ლანსერეს ქალიშვილი. სწავლობდა პეტერბურგში, მ. ტენიშევას სკოლა-სახელოსნოსა (1902-იდან) და ო. ბრაზის სახელოსნოში (1903—05). გაერთიანება „*მირ ისკუსსტვას*" წევრი. 1924-იდან პარიზში

ცხოვრობდა. განიცადა XVI—XVII სს. იტალ. ოსტატთა გავლენა. ს-მ თავის ნამუშევრებში (პორტრეტები, ნიუ, კომპოზიციები) ასახა რუს. სოფლის ყოფა-ცხოვრება („მკა", 1915, ოდესის სამხატვრო მუზეუმი; „მორთვა-მოკაზმვა, ავტოპორტრეტი", 1909, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). ს. ავტორია პორტრეტებისა, რ-ებიც ხასიათების სიმახვილით გამოირჩევა.

სერებრიაკოვი ბორის იაკობის ძე (15. XII. 1890, სარატოვი, — 14. VI. 1959, თბილისი), რუსი საბჭ. პოეტი, მთარგმნელი. 1916 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1914 გამოაქვეყნა პირველი წიგნი — ე. ვერჰარნის ლექსთა თარგმანი; 1928 — ორიგინ. პოემა „საათნოვა". 1934-იდან თბილისში ცხოვრობდა. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. ლიტ-რის კლასიკოსებისა (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა) და ქართ. საბჭ. პოეტების (გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ა. კალანდაძე და სხვ.) თხზულებათა თარგმნაში. ს-ის ძირითადი კრებულებია „რჩეული თარგმანები" (1953, 1958). *მ. კარბელაშვილი.*

სერებრიაკოვი პავლე ალექსის ძე [15. (28). II. 1909, ცარიცინი, ახლანდ. ვოლგოგრადი, — 13. VIII. 1977, ლენინგრადი], საბჭ. პიანისტი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1962). სკკპ წევრი 1939-იდან. 1930 დაამთავრა ლენინგრ. კონსერვატორია (ლ. ნიკოლაევის საფორტეპიანო კლასი). ამავე წლიდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1939-იდან პროფესორი; 1938—51 და 1961—77 რექტორი). როგორც პიანისტი გამოდიოდა 1929-იდან. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ს-ის შესრულება გამოირჩეოდა მასშტაბურობით, ვირტუოზული ტექნიკით, ემოციურობით. მუსიკოს-შემსრულებელთა მოსკ. I საკავშ. კონკურსის ლაურეატი (II პრემია, 1953). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

სერებრიანოე, სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში (ფსხუს სოფსაბჭო), მდ. ბზიფის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ*, სოხუმიდან 90 *კმ*. აჩადარის ა. ჟდანოვის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა). რვაწლ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. ფსხუში (4 *კმ*).

სერებროვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (დ. 15. II. 1944, მოსკოვი), საბჭ. კოსმონავტი მფრინავი. საბჭ. კავშირის გმირი (27. VIII. 1982). სკკპ წევრი 1976-იდან. 1967 დაამთავრა მოსკ. ფიზ.-ტექ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო იქვე. 1976-იდან ტექ. მეცნ. კანდიდატია და მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, მონაწილეობს კოსმ. აპარატების შექმნასა და გამოცდაში. 1982 წ. 19—27 აგვ. ს. *სავიცკაიასა* და ლ. *პოპოვთან* ერთად იფრინა კოსმ. ხომალდით „სოიუზ ტ-7". 20. VIII ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ კომპლექსს „სალუტ-7"—„სოიუზ ტ-5", რ-შიც იყვნენ ა. ბერეზოვოი და ვ. *ლებედევი*. ს. და ს. სავიცკაია გადავიდნენ სადგურში და ჩაატარეს ერთობლივი ტექ., ასტროფიზ. და სამედ.-ბიოლ. ექსპერიმენტები. მეორედ ს-მა კოსმოსში იფრინა 1983 წ. 20—22 აპრ. ვ. *ტრტოუსა* და გ. *სტრეკალოვთან* ერთად „სოიუზ ტ—8" ხომალდით. ს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სერებროვსკი ალექსანდრე პავლეს ძე [13 (25). XII. 1884, უფა, — 10. II. 1938], საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1903-იდან. რევ. მოძრაობაში ჩაება 1899-იდან. 1905 პეტერბ. საბჭოს წევრი. 1907 მონაწილეობდა შეიარაღებულ აჯანყებაში ვლადივოსტოკში. არაერთხელ დააპატიმრეს. 1908 ემიგრაციაში წავიდა ბელგიაში, სადაც დაამთავრა (1911) უმაღლესი ტექ. სასწავლებელი. 1912 მუშაობდა ნიჟნი-ნოვგოროდში (გორკი), მოსკოვსა და როსტოვში. 1917 ოქტ. რევ. მონაწილე. რევ. შემდეგ გაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი; წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისიის წევრი; საარტ. ქ-ნების ცენტრ. მმართველობის თავ-რე; გზათა საკომის მოადგილე; უკრ. ფრონტის სამხ. მომარაგების უფროსი. 1921 მონაწილეობდა საბჭ. ხელისუფლების დამყარებაში საქართველოში. 1920—30 „აზნეფტის" თავ-რე ბაქოში, სრულიად რუს. ნავთობსინდიკატის მმართველობის თავ-რე და სსრკ სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს თავრის მოადგილე. 1931 მძიმე მრეწვ. სახკომის მოადგილე. პარტიის XIII, XIV, XVII ყრილობების დელეგატი. XIV—XVII ყრილობებზე აირჩიეს ცკ-ის წევრობის კანდიდატად. იყო სსრკ ცკის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და 3 სხვა ორდენით.

სერედა, რსფსრ ივანოვოს ოლქის ქ. *ფურმანოვის* სახელწოდება 1941-მდე.

სერემბანი (Seremban), ქალაქი მალაიზიაში, მალაკის ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაწილში. ნეგრი-სემბილანის შტატის ადმ. ცენტრი. 136 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. რკინიგზით უკავშირდება პორტ-დიქსონს. ს-ის მახლობლად იღებენ კალას.

სერენადა (ფრანგ. sérénade, იტალ. serenata<sera —საღამო), 1. ქალისადმი მიძღვნილი სატრფიალო სიმღერა. სახელწოდება წარმოდგება „სერენიდან"—„საღამოს სიმღერა" პროვანსელი ტრუბადურების შესრულებით გავრცელებული იყო სამხრეთის რომანული ხალხის ყოფაში. მყარი ტექსტი არ ჰქონდა. მომღერალი ს-ს ასრულებდა სატრფოს ფანჯრის წინ ლიუტნის, მანდოლინის ან გიტარის თანხლებით. ს. შეეჭრა ოპერაში (მოცარტის „დონ ჟუანი", როსინის „სევილიელი დალაქი" და სხვ.), იქცა კამერულ-ვოკალური მუსიკის ჟანრად. 2. სოლო, იშვიათად საანსამბლო საკრავიერი პიესა, რ-იც ატარებს ვოკალური ს-ის ნიშნებს. 3. კასაციის, დივერტისმენტისა და ნოქტიურნის მსგავსი საანსამბლო ციკლური საკრავიერი ნაწარმოები. თავდაპირველად იქმნებოდა ერთი გარკვეული პიროვნების პატივისაცემად და სრულდებოდა ღია ცის ქვეშ. 4. საკრავიერი, უპირატესად საორკესტრო თანხლებით შესასრულებელი სიმღერა. შეიქმნა დას. ევროპაში XVII—XVIII სს-ში სამეფო კარის დღესასწაულებისათვის. წააგავს ოპერასა და საზეიმო კანტატას.

სერერი, სენეგალის რესპუბლიკაში, ქ. დიურბელის გარეუბანსა და 3დ. ნიელუმოლეს დაბლობზე მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 910 ათ. კაცი (1978, შეფასება). მცირე რაოდენობით სახლობს აგრეთვე გამბიაში. ენა განეკუთვნება ატლანტური (დას. ბანტოიდური) ჯგუფის ენებს. ს-ის ნაწილი ლაპარაკობს ჯოლოფის ენაზე. რელიგია — ისლამი. ძირითადი საქმიანობა — მიწათმოქმედება, სანაპიროზე — თევზჭერა. საშოვარზე დადიან არაქისის პლანტაციებში.

სერვალი (Felis serval), მტაცებელი ძუძუმწოვარი *კატისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 1 *მ*, კუდი — 30 *სმ*, სიმაღლე მხრებში — 50 *სმ*, მასა — 16 *კგ*-ს აღწევს. აქვს გრძელი ფეხები და ძალიან დიდი ყურები. ფერად მოყვითალო-რუხია, მურა ან შავლაქებიანი. ფართოდაა გავრცელებული აფრიკაში. ნადირობს ღამე. სარეწაო ობიექტია, რის გამოც მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა.

სერვანტეს საავედრა (Cervantes Saavedra) მიგელ დე (მონათლულია 9. X. 1547, ალკალა-დე-ენარესი, — 23. IV. 1616, მადრიდი), ესპანელი მწერალი. დაიბადა გაღარიბებული იდალგოს მრავალშვილიან ოჯახში. ს. ჯერ (1557—61) სწავლობდა ვალიადოლიდის იეზუიტთა კოლეგიაში, შემდეგ — მადრიდში. მოწაფეობის პერიოდში შეუთხზავს პირველი ლექსები, სონეტი, ეპიტაფია, ელეგია; დაუწერია პასტორალური პოემა „ფილენა". 1569 რომში გაჰყვა პაპის საგანგებო ელჩს, ერთი წლის შემდეგ კი სამსახური დაიწყო იტალიაში მყოფ ესპ. ჯარში, სადაც 5—6 წელი დაჰყო. მოიარა იტალ. მრავალი ქალაქი, გაეცნო ქვეყნის კულტურას, შეისწავლა ენა, გაიღრმავა ჰუმანისტური ცოდნა. 1571 მონაწილეობა მიიღო ევრ. ფლოტის ბრძოლაში თურქეთთან, თავი გამოიჩინა ლეპანტოს შეტაკებაში, მძიმედ დაიჭრა მკლავში და ხეიბარი დარჩა. სამშობლოში რომ ბრუნდებოდა, მეკობრეებმა ტყვედ ჩაიგდეს და მონად მიჰყიდეს ალჟირის ფაშას; 5 წლის მძიმე ტყვეობის შემდეგ, 1580, მშობლებმა გამოისყიდეს. სამშობლოში დაბრუნებული ს. ოჯახის სიღატაკემ აიძულა კვლავ ჯარში ემსახურა. შემდეგ მადრიდში მოხვდა. დაიწყო პიესების წერა, მაგრამ სიღარიბემ და დამცირებამ დაათმობინა ლიტ. ასპარეზი. 1587 გადასახლდა ანდალუსიაში, სევილიაში, სადაც „უძლეველი არმადისათვის" სურსათის შემგროვებელ საagენტოში კომისრად მსახურობდა. მოიარა მრავალი ქალაქი და სოფელი, ხვდებოდა გლეხებს, ვაჭრებს, მწყემსებს, მეფუნდუკეებს, ბერებს, ეცნობოდა ესპ. ყველა კუთხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს; ხარკის აკრეფა უჭირდა, ანგარიში ერეოდა, ვალები ედებოდა და ამიტომ სამჯერ (1592, 1597, 1602) ჩასვეს ციხეში. ბოლოს, 1609, ს. წმინდა ზიარების მორჩილთა ძმობის წევრი, 1613 — ფრანცისკელთა ორდენის ტერციარიუმი (საერო, ნახევრად მონაზვნური რელიგ. ძმობა) გახდა, სიკვდილის წინ კი „სრული ხელდასხმა" მიიღო და მონასტერში ძმობის ხარჯზე დაასაფლავეს. მისი საფლავი დაკარგულია. პორტრეტს ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო ის, რაც ახლა მის პორტრეტადაა მიჩნეული, ინგლ. მხატვარს უ. კენტს დაუხატავს „სამოძღვრებო ნოველების" პროლოგში მწერლისავე საკუთარი გარეგნობის აღწერის საფუძველზე.

ეპოქა, რ-შიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ს., ესპ. კულტ. ისტორიაში „ოქროს საუკუნის" სახელით არის ცნობილი. ამ ეპოქის უდიდესი მოვლენა იყო ს-ის შემოქმედებაც, რ-ითაც, ბ. ბელინსკის თქმით, „დაიწყო ახალი ერა ჩვენი უახლესი ხელოვნებისა". მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის მდიდარ ცნობებს გვაძლევს მისივე თხზულებები, კრებულ „რვა კომედია და რვა ინტერმედიის" შესავალში ვკითხულობთ, რომ მადრიდის თეატრებში იდგმებოდა ს-ის „ალჟირული ზნე-ჩვეულებანი", „ნუმანსია", „საზღვაო ბრძოლა" და სხვ., რომ მას დაუწერია 20—30 პიესა, რ-თა უმეტესობას ჩვენამდე არ მოუღწევია. „ნუმანსია" „ოქროს საუკუნის" თეატრის მწვერვალადაა მიჩნეული. იგი ღრმა პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და სამართლიანობის უდიდესი პათოსითაა გამსჭვალული. 1581—82 იქმნებოდა ლექსად და პროზად დაწერილი პასტორალური რომანი „გალატეა", რ-იც ს-ს დაუმთავრებელი დარჩა (გამოქვეყნდა 1585, 1 ნაწ., 6 თავი); რომანი განადიდებს სიყვარულის მაღალ, გამაკეთილშობილებელ გრძნობას და ქალაქს უპირისპირებს მშვიდ, სოფლურ ცხოვრებას, იდილიურ ყოფას, სიკეთეზე დაფუძნებულ ბუნებრივ, ადამიანურ გრძნობებს. მწერლის ცხოვრებისა და მისი თანამედროვეობის გასაცნობად დიდი მნიშვნელობა აქვს პოემას „მოგზაურობა პარნასზე" (დაახლ. 1612, გამოქვეყნდა 1614); მასში ბრწყინვალედაა გაშუქებული ს-ის გარემომცველი ლიტ. სამყარო. ორიგინალობით გამოირჩევა „რვა კომედია და რვა



ზ. სერებრიაკოვი. „მორთვა-მოკაზმვა. ავტოპორტრეტი". 1909. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



პ. სერებრიაკოვი.



ა. სერებროვი.



სერვალი.



მ. სერვანტესი.

ინტერმედია" (1615), რ-შიც გაერთიანდა შეტად საინტერესო პროლოგი, 2 ლექსად დაწერილი და მხატვრულად საკმაოდ კარგად გამართული კომედია და ინტერმედიები; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინტერმედიების ახლებური ფორმა და შინაარსი. ს. თავის საუკეთესო ქმნილებად თვლიდა რომანს „პერსილესისა და სეხისმუნდას მოგზაურობა", რ-იც 1616 დაასრულა (გამოქვეყნდა 1617); ეს ვრცელი ეპოპეა მოგვითხრობს ადამიანის ბედუკუღმართობასა და შეჭირვებაზე. ს-ის ნაწარმოებთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თხზულებადაა მიჩნეული „სამოძღვრებო ნოველები" (1613), რ-იც სხვადასხვა დროს დაწერილი მოთხრობებისაგან შედგება და „დონ კიხოტში" ჩართულ ეპიზოდებსა და მისსავე სიუჟეტურ ქარგას ეხმაურება. ნოველები გამოირჩევა სიუჟეტთა ნაირგვარობით. მათში ვირტუოზული ოსტატობითაა შერწყმული მხატვრული გამონაგონი, ზღაპრული ელემენტი, ფანტასტიკა, სინამდვილის რეალისტური ასახვა, სატირა, ავტობიოგრ. მომენტი, ფსიქოლ. თუ ფილოს. მსჯელობა და სხვ. მწერალი გვერდს უვლის ყოველგვარ სქემას, ასუსტებს დამრიგებლურ ელემენტს, იყენებს ირონიას. დახვეწილი ფორმით გამორჩეული ეს ნოველები პირველი ესპ. ნოველები იყო ეროვნ. შინაარსითაც.

ს-ის შემოქმედების მწვერვალი და მსოფლიო ლიტ-რის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებაა რომანი „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი". იგი შედგება ორი ნაწილისაგან, რ-ებიც ფაბულის ერთიანობის მიუხედავად, საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ს-ს მისი წერა დაუწყია 1602 (პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1605, მეორე 1615) და, როგორც ჩანს, თავდაპირველად მოთხრობად ჰქონდა ჩაფიქრებული. მისი სიუჟეტის განვითარებაზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა გარემოებამ. ავტორი თავიდანვე გვარწმუნებს, რომ თხზულების მიზანია გაამასხაროს სარაინდო რომანების სისულელეები და გაანადგუროს იგი „სიცილის ძალით"; ეს პაროდია რომანში სიუჟეტის ზანვითარებასთან ერთად რთულდება, მისი მამხილებელი ხასიათიც უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება და მოქმედების ერთიანობის შესანარჩუნებლად შემაკავშირებელი რგოლის როლი ენიჭება; იმის გამო, რომ რომანის სატირული მიმართულება მწერალს ინკვიზიციასთან კონფლიქტს უქადდა, იგი იძულებული გახდა მიემართა შენიღბვის ხერხისთვის, რომანში შემოეყვანა „არაბი ლამანჩელი" ისტორიკოსი და მისთვის მიეწერა ცალკეული სატირული გამონათქვამები. გენიალურია ს-ის მიერ გმირების ამორჩევის ხერხიც — რაინდი და მისი საჭურველთმტვირთველი, გაღატაკებული იდალგო და უპოვარი გლეხი. ორიენ სახეს დიდი სოც. დატვირთვა აქვს. რაინდის პირით მწერალი ლაპარაკობს იმ ზნეობრივი სრულყოფის, პოლიტ. სიბრძნის შესახებ, რაც უნდოდა თავის თანამოძმეთა და თანამედროვეთათვის ჩაეწერგა, ხოლო სანჩო პანსას პირით ამეტყველებულია თვით ხალხ. სიბრძნე, რ-ის საყრდენია უმდიდრესი ესპ. ფოლკლორი, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს თვით რომანის ერთ-ერთ მთავარ საყრდენსაც. დონ კიხოტი მსჯელობს განყენებულად, მაღალფარდოვანი, რიტორიკული ფრაზებით, ღვლარჭნილი სტილით, რომანებიდან ნასესხები მოძველებული ენით. სანჩო ლაპარაკობს უბრალო, ცოცხალი ხალხ. ენით, ანდაზებით, გამოცანებით, კალამბურებით, ნაკვესებით და მკითხველის თვალწინ იშლება ხალხ. სიბრძნის ულრმესი საგანძური. სანჩო პანსას სახით ესპ. მწერლობაში პირველად გამოჩნდა ხალხის საღი აზროვნება, ღირსებები, უზადო კეთილშობილება. რომანი თავიდან ბოლომდე არის დიალოგი რაინდსა და მის საჭურველთმტვირთველს შორის. ამ საუბრების გზით ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ორი საწყისი: ამაღლებული პუმანისტური აზრი და ჯანსაღი ხალხ. სიბრძნე.

ფ. შლეგელმა ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა მთავარი გმირების სიმბოლური მნიშვნელობა — დონ კიხოტი პოეზიაა, სანჩო — პროზა ცხოვრებისა. ეს აზრი შემდეგ მრავალმა მკვლევარმა განავითარა, მ. შ. ჰეგელმა და ჰაინემ.

„დონ კიხოტის" ორსაუკუნოვან წიგნში მკითხველის თვალწინ წარმოდგება დაახლ. 670 მოქმედი პირი, რ-თა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ესპ. მაშინდელ ეპოქაზე. ესენი არიან სამღვდელოების წარმომადგენლები, გაიძვერა მეუღაბნოები, რეგვენი მოხელეები, მცონარა არისტოკრატები, ბაქია ჯარისკაცები, ბრიყვი და ყოყოჩა ექიმები, გაქნილი მეფუნდუკეები, მეჯორეები, კახპა ქალები, მოხეტიალე მსახიობები, სტუდენტები, ავაზაკები, კატორღელები და სხვ. მაშინ, როცა ინკვიზიციის სასტიკი ცენზურა ახშობდა თავისუფალ აზრს, ს-მა უძლიერესი მხატვრული სიმართლით ასახა დიდი ისტ. ეპოქა მთელი თავისი წინააღმდეგობებით, მოგვცა ამ ეპოქის მრავალფეროვანი სურათი.

საქართველოში ჯერ კიდევ XIX ს-ში გაეცნენ „დონ კიხოტს". იგი თარგმნა ცნობილმა საზ. მოღვაწემ ნიკო ავალიშვილმა და პირველი 32 თავი 1869—71 დაბეჭდა ჟურნ. „მნათობში", რ-საც თვითონვე რედაქტორობდა. თარგმანის პირველი წიგნი, რ-იც ა. სარაჯიშვილმა შეადარა ფრანგ. თარგმანს, 1906 „ცნობის ფურცლის" პრემიად დაბეჭდა „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ". მეორე წიგნის გამოცემა ნ. ავალიშვილმა ვერ მოასწრო და ხელნაწერად დარჩა.

თხზ.: Obras completas, ed. publicada por R. Schevill y A. Bonilla, v. 1—19, Madrid, 1914—41; Собр. соч., т. 1—5, М., 1961; მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამან. ჩელი, ტ. 1—2, თბ., 1958—59.

ლიტ: Менендес Пидаль Р., Избр. произв. М., 1961; Menéndes y Pelayo M., Estudios cervantinos, B. Aires, 1947; Ortega y Gasset J., Meditaciones de Quijote. Madrid, [1958]; Unamuno M. de, La vida de Don Quijote y Sancho, Madrid, 1928 (La Habana, 1963).

მ. ტატიშვილი.

„სერვეიორი" („Surveyor"), მთვარის საკვლევად გათვალისწინებული ამერიკული კოსმოსური საფრენი აპარატების სერიის სახელწოდება; ამ აპარატების დამუშავებისა და გაშვების პროგრამა (1960—68). „ს-ის" მიზანი: მთვარის გრუნტის მექან., ქიმ. და ფიზ. თვისებების შესწავლა; ზედაპირის ფოტოგადაღება; ასტრონ. დაკვირვებათა ჩატარება მზეზე, პლანეტებზე, ვარსკვლავებზე; მთვარეზე ღაშვების ტექ. ამოცანის გადაწყვეტა. აქვს ძრავული და ენერგეტ. დანადგარები (მზისა და ქიმ. ბატარეები), რადიოტექ. მოწყობილობა, მართვისა და ორიენტირების სისტემები, სათანადო სამეცნ. აპარატურა და პანორამული სატელევიზიო კამერა. „ს-ის" მაქს. დიამეტრია 4,3 *მ*, სიმაღლე 3 *მ*, სასტარტო მასა ≈ 1000 *კგ*; უშვებდნენ რაკეტა-მატარებლით „ატლას-ცენტაური". სულ გაუშვეს 7 აპარატი, რბილად დაეშვა მთვარეზე 5.

სერვეტი (Servet) მიგელ (1509 ან 1511 — 27. X. 1553, ჟენევა), ესპანელი პროგრესული მოაზროვნე, ექიმი, მეცნიერი, თეოლოგი. სწავლობდა მათემატიკას, გეოგრაფიას, სამართალს. კომენტარები დაურთო და გამოსცა პტოლემეოსის „გეოგრაფია", აღმოაჩინა სისხლის მიმოქცევის მცირე წრე. მკაცრად აკრიტიკებდა ქრისტიანობის ძირითად დოგმატს — ღმერთის „სამებას". ქრისტეს მხოლოდ ადამიანად მიიჩნევდა, ხოლო ღმინდა სულს — სიმბოლოდ. ამხელდა პაპობას, მოუწოდებდა მცდარი იდეებისაგან, კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმისაგან ქრისტიანობის განწმენდისკენ. ღვთისმეტყველების საკითხებზე მწვავე კამათი ჰქონდა ჟ. კალვინთან. დევნიდნენ როგორც კათოლიკეები, ისე კალვინისტები. ჟ. კალვინის დასმენით ინკვიზიციამ დააპატიმრა (1553). გაიქცა ჟენევაში, შეიპყრეს და კალვინის განკარგულებით დაწვეს. 1903 კალვინისტურმა ეკლესიამ ს-ს ჟენევაში ძეგლი დაუდგა.

სერვი [ლათ. servi (მრ. რ.), სიტყვასიტყვით—მონები], უშუალო მწარმოებელთა ფენა შუა საუკუნეების დას. ევროპაში. ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდში არსებობდა ს-ის 2 კატეგორია: პირველნი უფლებრივად თითქმის რომაელი მონების მდგომარეობაში იყვნენ, მეორენი გერმ. პატრიარქალური მონების კატეგორიას უახლოვდებოდნენ. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ს. წარმოადგენდა ფეოდალზე დამოკიდებულ გლეხთა კატეგორიას ძლიერ შეზღუდული სამოქალაქო და სამეურნეო უფლებებით.

სერვისი (ინგლ. service — სამსახური), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება — ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო საგნების შეკეთება, ნავაჭრის სახლში მიტანა, სხვადასხვა ცნობის გაცემა, ავტომანქანების მფლობელთა მომსახურება და სხვ.

სერვიტუტი (ლათ. servitus, ნათ. ბრ. servitutis — მონობა, ქვეშევრდომობა), სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება (იხ. სტ. *სანივთო სამართალი*). ს., როგორც გარეშე პირის სასარგებლოდ საკუთრების უფლების შემზღუდავი დანაწესი, კერძო საადგილმამულო მფლობელების გაჩენის საფუძველზე წარმოიშვა. იგი განვითარდა, ჩამოყალიბდა და დაიხვეწა რომის სამართალში. ს-ები ძირითადად იყოფა საადგილმამულოდ და პიროვნულად, სასოფლოდ და საქალაქოდ (დაკავშირებულია შენობებთან). უძველესია საგზაო (თავის ნაკვეთთან მისასვლელი სავალფეხო, სატრანსპ. და პირუტყვის გასავლელი გზის) და წყლის (სარწყავი წყლის გაყვანის, სასმელი წყლით სარგებლობის და მისთ.) ს-ები; უფრო გვიანდელია სასაძოვრო და სატყეო, ბოლოს საქალაქო (მისასვლელი, სინათლის დაუბშველობის, წვიმის წყლის დინებისა და მისთ.) ს-ები; პიროვნულ ს-ებს განეკუთვნება *უზუფრუქტუსი*. ს-ების შეძენა ხდებოდა *გარიგებით*, *ხანდაზმულობით*, სასამართლოს გადაწყვეტილებით და კანონის ძალითაც.

ძვ. საქართველოში თითქმის ყველა სახის ს. მოქმედებდა. ს-ებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ჩვეულებითი სამართალი აწესრიგებდა, ხოლო უმთავრესი ს-ები კანონმდებლობაშიც აისახა (ვახტანგ VI-ის სამართალი, მ. 169—172, 244). *დ. ფურცელაძე.*

სერვიუს ტულიუსი (Servius Tullius), რომაული ტრადიციით, რომის მე-6 მეფე (ძვ. წ. 578—534/533). მეფე ტარკვინიუს პრისკუსის შვილობილი. ზოგი ძვ. ავტორი მას ეტრუსკების გმირად მასტარნად მიიჩნევს. ტრადიცია ს. ტ-ს მიაწერს რომის სახელმწ. რეფორმების გატარებას, კერძოდ, გვაროვნ. ტრიბების ტერიტორიულ ტრიბებად შეცვლას, პლებეების შეყვანას რომის თემში, რომის მოსახლეობის 5 კლასად დაყოფას ქონებრივი ცენზის მიხედვით. თითოეულ კლასს უნდა გამოეყვანა განსაზღვრული რაოდენობის სალაშქრო ერთეული — ცენტურიონი (ასეული). აქედან იღებს დასაბამს საყოველთაო სამხ. ვალდებულება რომში. ტრადიცია ს. ტ-ს მიაწერს რელიგ. რეფორმის გატარებასა და ქალაქის ზღუდის აგებას.

სერვომაძრავი, შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი, ავტომატური მართვის სისტემებში მარეგულირებელი ორგანოს გადასაადგილებელი ან დისტანციური მართვის მოწყობილობა; იყენებენ აგრეთვე

მიმყოლი სისტემის ელემენტების, სატრანსპ. მანქანათა საჭეებისა და სხვათა დამზმარე ამძრავად. მარეგულირებელი ორგანოს მდგომარეობის შეცვლა იწვევს ობიექტზე მისაწოდებელი ენერგიის ან მასალის ნაკადის ცვლილებას და ამით ზემოქმედებს მუშა მანქანებზე, მექანიზმებსა და ტექნოლ. პროცესზე და გამორიცხავს სარეგულირებელი სიდიდის მოცემული მნიშვნელობიდან გადახრას. ს. შედგება ძრავასაგან, გადამცემი მექანიზმისა და მართვის ელემენტებისაგან, აგრეთვე უკუკავშირის, სიგნალიზაციის, ბლოკირებისა და გამორთვის ელემენტებისაგან. აირისა და სითხის ნაკადის სარეგულირებელი ს. წარმოადგენს ჰიდრავ. ან ელექტრული ამძრავით გადასაადგილებელ სარქველს, საკვალთს ან საცეტს.

ს-ს ფართოდ იყენებენ სამრეწვ. ავტომატიკაში.

სერვოკომპენსაცია (<ლათ. servus — მონა, მსახური), თვითმფრინავების, შვეულმფრენების, რაკეტების მართვის სისტემებში დამზმარე საჭეური ზედაპირების გამოყენება ძალების შესამცირებლად. მცირე ფართობის დამზმარე ზედაპირი, რ-საც ძირითადი *საპაერო საჭის* უკანა ნაწიბურზე ათავსებენ, ძირითადი საჭის გადახრის საწინააღმდეგო მიმართულებით იხრება. განასხვავებენ ს-ის 3 ტიპის მოწყობილობას: სერვოკომპენსატორს, სერვოსაჭეს, ტრიმერს (იხ. ნახ.). სერვოკომპენსატორი სახსროვანი ან ზამბარული მექანიზმით დაკავშირებულია ფრთის ან სტაბილიზატორის უძრავ ზედაპირთან და მისი გადახრა დამოკიდებულია ძირითადი საჭის მობრუნებაზე. სერვოსაჭე მართვის სისტემის შემსრულებელი ორგანოა. ძირითადი საჭე სერვოსაჭის გადახრისას წარმოქმნილი აეროდინამ. ძალის მოქმედებით გადაიხრება. ტრიმერს, ისევე როგორც საჭეს, აქვს დამოუკიდებელი მართვის სისტემა. განსხვავებით სერვოკომპენსატორისა და სერვოსაჭისაგან, რ-თა დანიშნულებაა ძალების შემცირება ძირითადი საჭის მობრუნებისას, ტრიმერს იყენებენ ფრენის დამყარებული რეჟიმის დროს.

სერი, საშუალო სიმაღლის, სხვადასხვა წარმოშობის, მოკრძოდ წამოზიდული რელიეფის დადებითი ფორმების ზოგადი სახელწოდება. განარჩევენ ბოლომორენულ, ოზურ, ეოლურ, კუესტურ, ეროზიულ და სხვა ს-ებს.

სერი, კარულ-ხეობური მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. შულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) აუზში, უერთდება ტვიბერის მყინვარს მარჯვ. მხრიდან. სიგრძე 4,9 *კმ*, ფართ. 5,08 *კმ*². საზრდოობს მწვერვალების ასმაშის, ბანგურიანისა და კომკავშირელის კალთებიდან ჩამონადენი მყინვართა ნაკადებით. მისასვლელი გზა ადის სოფ. ჟაბეშიდან. *რ. ბაზარაძე.*

სვრია (<ლათ. series — რიგი, მწკრივი), 1. ერთგვარი საგნების რიგი, ჯგუფი; საერთო ნიშან-თვისებათა მქონე საგნების, მოქმედებათა რიგი; 2. დიდი კინოფილმის დამოუკიდებელი ნაწილი; 3. ციფრებით ან ასოებით აღნიშნული ფასიანი ქაღალდების, დოკუმენტების თანრიგი, კატეგორია.

სერია, წყება (გრამატ.). ზმნის ისეთ მწკრივთა (ნაკეთთა) ჯგუფი, რ-ებიც გაერთიანებულია საერთო ფუძით (თემით). ქართულში გამოყოფილია 3 ს.: I ს-ში შედის: აწმყო; მისგან ნაწარმოები ნამყო უწყვეტელი (უსრული) და მყოფადი, აგრეთვე ამათგან ნაწარმოები პირველი ხოლმეობითი (პირობითი) და კავშირებითები (მაგ., ვაკეთებ, ვაკეთებდი, ვაკეთებდე; გავაკეთებ, გავაკეთებდი, გავაკეთებდე); II ს-ში შედის: ნამყო წყვეტილი (სრული), მისგან ნაწარმოები მეორე კავშირებითი, აგრეთვე ძვ. ბრძანებითი და მეორე ხოლმეობითი (მაგ., ვაკეთე, ვაკეთო, აკეთე, ვაკეთი); III ს-ში შედის: პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი (მაგ., მიკეთებია, მეკეთებინა, მეკეთებინოს). ჩვეულებრივ, I ს-ის ფუძე II ს-ის ფუძისაგან განსხვავდება სუფიქსებით (მაგ., ვაკეთ-ებ—გა-ვაკეთ-ე, ვაშრ-ობ—გა-ვაშრ-ე, ვკერ-ავ—შე-ვკერ-ე) ან ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით (ვდრეკ—ვდრიკე), ზოგჯერ I—II ს-ების ფუძეები არ არის განსხვავებული (მაგ., ვწერ—ვწერე).

ბ. ფოჩხუა.

სერიგალთა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ზნაურის რ-ნში (ბალთის სოფსაბჭო), მდ. დასავლეთის ფრონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 800 *მ*, ზნაურიდან 7 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. ბალთის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ბალთაში (1 *კმ*).

სერიეზული მანქანა, მუდმივი დენისა, მიმდევრობითი აგზნების მანქანა, *მუდმივი დენის მანქანა*, რ-ის აგზნების გრაგნილი თანამიმდევრულადაა ჩართული ღუზის გრაგნილთან ან გრაგნილში გადის დენი, რ-ის ძალა პროპორციულია ღუზის გრაგნილში გამავალი დენის ძალისა. მუდმივი დენის ს. მ-ს იყენებენ ძრავად, რ-იც რბილი მექან. მახასიათებლის გამო განსაკუთრებით ხელსაყრელია ელექტრული წევისათვის, ამწეების ელექტროამძრავებისა და იმ მექანიზმებისათვის, რ-თა ამუშავების პირობები მძიმეა.

სერინი, α-ამინო-β-ოქსიპროპიონმჟავა, $HOCH_2CH(NH_2)CO\acute{O}H$. ბუნებრივი ამინომჟავა. არსებობს ოპტიკურად აქტიური L-,D- და რაცემული DL-ფორმების სახით. უჯრედში ს. მონაწილეობს გლიცინის, გოგირდშემცველი ამინომჟავების (*მეთიონინი, ცისტეინი*), *ტრიპტოფანის*, ეთანოლამინის, სფინგოლიპიდების ბიოსინთეზში. იძლევა ერთნახშირბადიან ფრაგმენტს ქოლინის, პურინული ფუძეებისა და სხვა ნაერთების წარმოქმნისას. ორგანიზმში ს-ის დაშლისას წარმოიქმნება პიროყურძენმჟავა, რ-იც A კოენზიმის მეშვეობით ერთვება ტრიკარბომჟავების ციკლში. მთელი რიგი ფერმენტების (ქიმოტრიფსინი, ტრიფსინი, ფოსფორილაზა და სხვ.) კატალიზური ფუნქცია განპირობებულია ს-ის პიდროქსილური ჯგუფის რეაქციულობით. ს-ის წარმოებული ანტიბიოტიკებია ციკლოსერინი და აზასერინი.

სერირი, ერთ-ერთი უმსხვილესი ადრინდელფეოდალური წარმონაქმნი V—VI სს. მივლნაზე დაღესტნის მთიანეთში, მდ. ყოისუს შუა წელზე. XI ს-ში იგი აქტ. საგარეო პოლიტ. ურთიერთობაში ჩაება, რასაც ხელს უწყობდა მისი მეზობლობა ალბანეთთან (იხ. *ალბანეთი კავკასიისა*), ბაზარებთან და საქართველოსთან. XI—XIII სს-ში „სერირის სამეფო", რ-იც აქამდე ავარიას მოიცავდა, გაცდა მის ფარგლებს და ჩამოყალიბდა ავარიის სანუცალოდ, რ-ის ცენტრი იყო ხუნძახი. XVI ს. დამდეგს სანუცალოს მმართველებმა დაიმკვიდრეს ს. წოდების მემკვიდრეობითობა და იგი ავარიის სახანოდ გადააქციეს. ს-ში უძველეს წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად გავრცელებული იყო ისლამი და ქრისტიანობა. ეს უკანასკნელი აქ უპირატესად საქართველოდან ვრცელდებოდა, რასაც მოწმობს იქაური ეკლესიები, რ-ებიც ქართ. ხუროთმოძღვრული გავლენით არის აღბეჭდილი (X ს.). არქეოლ. გათხრების შედეგად ხუნძახში აღმოჩნდა ამავე საუკუნის ქვის ჯვარი, რ-ზედაც ქართ. ასოებით ქართ.-ავარიული სიტყვებია ამოკვეთილი, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს ქართ. ანბანის საფუძველზე ხუნძური დამწერლობის შექმნის ცდაზე. *თ. ბოცვაძე.*

სერისტორი (Serristori) ლოდოვიკო (1793, ფლორენცია, — 1858, იქვე), ტოსკანის სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი. 1817—33 რუს. სამსახურში იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკად. 1823—29, როგორც ჩანს, კავკასიაში იმყოფებოდა. კავკასიას ეხება მისი „ცნობები კავკასიაში რუსეთის პროვინციების შესახებ", რ-იც შეიცავს კავკ. საერთო გეოგრ. ნარკვევს (ბუნება, ეკონომიკა, სტატისტ. მონაცემები, პოლიტ. მიმოხილვა). ნაშრომის დამატებას დართული აქვს ავტორის წერილი განჯის მიდამოებიდან, რ-შიც აღწერილია თბილისიდან არდებილისაკენ მგზავრობისას გატარებული ღამე, საუბარი ადგილ. მცხოვრებლებთან, აღწერილია აგრეთვე არზრუმი და მისი მიდამოები.

თხზ.: Notes sur les provinces russes au delà du Caucase, écrites dans les années 1823 et 1824, Odessa, 1829.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу. 1800—1830 гг., Тб., 1946.

სერიული მუსიკა, მუსიკა, რ-იც დაწერილია XX ს-ში გავრცელებული კომპოზიციის სერიული ტექნიკის (დოდეკაფონიის ნაირსახეობა) გამოყენებით. ს. მ-ის კომპოზიცია აიგება ერთი და იმავე (მოცემული ნაწარმოებისათვის ინდივიდუალურად შერჩეული) ბგერათა რიგის (ინტერვალების თანამიმდევრობა) სხვადასხვა ვარიანტში განმეორების საფუძველზე. თუ გარკვეული ბგერათა რიგი წარმოადგენს მუს. თხზულების ერთადერთ წყაროს, მას ეწოდება სერია, კომპოზიციას კი შესაბამისად—სერიული.

სერიული წარმოება, წარმოების ორგანიზაციის ტიპი, რ-იც ხასიათდება ფართო ნომენკლატურიან საწარმოებში ერთგვაროვანი პროდუქციის ერთდროული დამზადებით. პროდუქციის გამოშვება მეორდება ხანგრძლივი დროის მანძილზე. ს. წ. ფართოდ არის განვითარებული მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში. პროდუქცია გამოდის სერიების, ხოლო დეტალები — პარტიების სახით. სერიის სიდიდის მიხედვით განასხვავებენ მსხვილსერიულ, საშუალოსერიულსა და წვრილსერიულ წარმოებას.


მ ს ხ ვ ი ლ ს ე რ ი უ ლ ი წარმოებისას პროდუქცია მზადდება განუწყვეტლივ (ერთ წელზე უფრო მეტი დროის განმავლობაში) დიდი მოცულობით. საწარმოს სამმუშაოები სპეციალიზებულია საგნობრივი ნიშნის, ხოლო სამუშაო ადგილები — ერთგვაროვანი ოპერაციების შესრულების მიხედვით. მსხვილსერიული წარმოება თავისი ხასიათით უახლოვდება *მასობრივ წარმოებას*.

ს ა შ უ ა ლ ო ს ე რ ი უ ლ ი წარმოებისას სპეციალიზაცია იზღუდება უფრო მცირე ნომენკლატურით, ხოლო საწარმოო უბნებსა და საამქროებს აქვთ საგნობრივი და ტექნოლ. სპეციალიზაცია. საშუალოსერიულ წარმოებას მიეკუთვნება ჩარხთმშენებლობა, ძრავების მშენებლობა და სხვ.

წ ვ რ ი ლ ს ე რ ი უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა ერთეული (ანუ ინდივიდუალური) წარმოებიდან პროდუქციის წვრილ სერიებად გამოშვებაზე გადასვლა. ნაწარმის ან ცალკეული დეტალების დამზადება, როგორც წესი, არ მეორდება. სერიის სიდიდე მერყეობა, ხოლო რეალიზაცია შეზღუდულია არსებული შეკვეთებით ან ხელშეკრულებებით.

სერიცინი (<ლათ. sericum — აბრეშუმი), აბრეშუმის წებო, ბუნებრივი აბრეშუმის წებოვანი ცილა. დიდი რაოდენობით (40%-მდე) შეიცავს *ჭრინს*. აკავშირებს აბრეშუმის მეორე ცილის — *ფიბრინის* ძაფებს. ს. იხსნება ცხელ წყალსა და ტუტიან ხსნარებში.

სერიციტი (<ლათ. sericus — აბრეშუმისა), სილიკატების კლასის მინერალი; თეთრი ქარსების, ჩვეულებრივ, *მუსკოვიტის* $KAl_2(AlSi_3O_{10})(OH)_2$, იშვიათად პარაგონიტის $NaAl_2[AlSi_3O_{10}](OH)_2$ ფარულ- ან წვრილქერცლოვანი სახესხვაობა. ხშირად



სერვოკომპენსაცია. სერვოკომპენსაციის მოწყობილობის სქემები: ა—სერვოკომპენსატორი; ბ—ტრიმერი; გ—სერვოსაჭე; 1—ძირითადი საჭე; 2—დამხმარე საჭე; 3—გაფანტილობა საჭის მართვის ბერკეტისაკენ; 4—გაფანტილობა ტრიმერის სამართი მექანიზმისაკენ.



ი. სერნანი.



ა. სეროვი.



ვ. სეროვი. მხატვარ ი. რეპინის ნახატი. ნახშირი. 1901 ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



ვ. სეროვი. „მზით განათებული ქალიშვილი". მარიამ იაკობის ასულ სიმონოვიჩის პორტრეტი. 1888. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ს., ამ მიხერალებთან შედარებით, ნაკლები რაოდენობით შეიცავს K-ს (Na-ს), მეტი რაოდენობით — H_2O-ს, SiO_2-ს, MgO-ს და შედგენილობით წააგავს *პიდროქარსებს*, აგრეთვე ილოტსა და ფენგიტს.

სერნანი (Cernan) იუჯინ (დ. 14. III. 1934, ჩიკაგო), ამერიკელი კოსმონავტი, სამხ.-საზღვ. ფლოტის 3-3 რანგის კაპიტანი. დაამთავრა პერდიუს სახ. უნ-ტი (ლაფეიეტი, ინდიანის შტ.) და სამხ.-საზღვ. სკოლა მონტერეიში (კალიფორნიის შტ.). მეცნ. ბაკალავრი ელექტრონული ტექ. და მეცნ. მაგისტრი საავიაციო ტექ. დარგში. 1963-იდან კოსმონავტთა რაზმშია. 1966 წ. 3—6 ივნ. ტ. *სტეფორდთან* ერთად იფრინა კოსმ. ხომალდით „ჯემინი-9" (მე-2 პილოტი), გამოვიდა ღია კოსმოსში (2 *სთ* 5 *წთ*); პირველად განხორციელდა სამიზნე რაკეტასთან შეხვედრა. 1969 წ. 18—26 მაისს ტ. სტეფორდსა და ჯ. *იანგთან* ერთად ხომალდით „აპოლონ-10" შემოუფრინა მთვარეს (სელენოცენტრულ ორბიტაზე გავიდა 21 მაისს და დაჰყო 61 *სთ* 40 *წთ*). იყო პილოტი მთვარის კაბინისა, რ-იც გამოეყო ხომალდს და 15 *კმ*-ზე მიუახლოვდა მთვარეს. 1972 წ. 7—19 დეკ. ჰ. *შმიტსა* და რ. ევანზთან ერთად გაფრინდა მთვარეზე „აპოლონ-17-ით". მთვარის კაბინით ს. და შმიტი დაეშვნენ მთვარეზე ტაურის მთების რ-ნში 11 დეკ., მთვარეზე დაყვეს 75 *სთ*, აქედან მის ზედაპირზე—სულ 23 *სთ* 12 *წთ* (სამი გამოსვლა), გადაადგილებისათვის მთვარემავალს იყენებდნენ.

სეროდანი, სოფელი თელავის რ-ნში (თეთრი წყლების სოფსაბჭო), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1250 *მ*, თელავიდან 20 *კმ*. თეთრი წყლების მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. თეთრ წყლებში (2 *კმ*).

სერო-დე-პასკო (Cerro de Pasco), ქალაქი ცენტრ. პერუში, 4,4 ათ. *მ* სიმაღლეზე. პასკოს დეპარტ. ადმ. ცენტრი. 48 ათ. მცხ. (1975). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. გზატკეცილითა და რკინიგზით უკავშირდება ქ. ლიმას. დაარსდა XVII ს-ში. XVII—XVIII სს-ში იყო ვერცხლის მოპოვების ცენტრი (მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი), XX ს. დასაწყისიდან — უმთავრესად სპილენძის, თუთიისა და ტყვიის, 1963-იდან — ტყვიისა და თუთიის მამდიდრებელი ფ-კა.

სეროდიაგნოსტიკა (ლათ. serum — შრატი და *დიაგნოსტიკა*), ადამიანის, ცხოველისა და მცენარის დაავადებათა გამოცნობის მეთოდი, რ-იც ემყარება სისხლის შრატის *ანტისხეულების* თვისებას სპეციფიკურად ირეაგიროს სათანადო *ანტიგენებთან*. მ ე დ ი ც ი ნ ა ში მიმართავენ ინფექციური და ზოგიერთი არაინფექციური დაავადების სადიაგნოზოდ, რისთვისაც იყენებენ ექსპრეს-მეთოდებსაც (იმუნოლუმინესცენცია). ს-ის ამოცანაა აგრეთვე კომპლემენტის შებოჭვისა და პასიური *ჰემაგლუტინაციის* რეაქციების საშუალებით ბიოლ. სითხეებსა (სისხლი, შარდი და სხვ.) და ქსოვილებში ანტიგენების განსაზღვრა, ავადმყოფისაგან გამოყოფილი ბაქტერიებისა და ვირუსების სახეობის დადგენა, სპეც. შრატების დახმარებით ცილების სახეობრივი კუთვნილებისა და ადამიანის სისხლის ჯგუფების დადგენა და სხვ.

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ა ში ს-ს იყენებენ ცხოველთა ინფექციური დაავადებების მასობრივი დიაგნოსტიკისათვის; ს. დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე.

მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა ში ს-ს იყენებენ სხვადასხვა დაავადების გამომწვევებით მცენარეთა დასენიანების განსასაზღვრავად, აგრეთვე სოკოების, ბაქტერიებისა და ვირუსების სახეობრივი დიაგნოსტიკის დადგენისა და სხვადასხვა დაავადებისადმი მცენარეთა გამძლეობის შესაფასებლად.

სეროვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [11 (23). I. 1820, პეტერბურგი, — 20. I (1. II). 1871, იქვე], რუსი კომპოზიტორი, მუსიკის კრიტიკოსი. 1835—40 სწავლობდა სამართალმცოდნეობის სასწავლებელში, 1840—68 მსახურობდა იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სხვადასხვა საუწყებო დაწესებულებაში. პირველი საკომპოზიციო ცდები 40-იან წლებს მიეკუთვნება (დაუმთავრებელი ოპერა „მარლელი მეწისქვილის ცოლი" და სხვ.). 1851-იდან ს. მოღვაწეობდა პრესაში, როგორც მუსიკის კრიტიკოსი. ს-ს ეკუთვნის ოპერები: „ივდითი" (ბიბლ. სიუჟეტზე, 1863, მარიამის თეატრი), „როგნედა" (რუს. ისტ. სიუჟეტზე, 1865, იქვე), „მტრული ძალა" (ა. ოსტროვსკის პიესის „ისე ნუ კი იცხოვრებ, როგორც გსურდეს" მიხედვით, დაასრულეს სეროვამ და ნ. სოლოვიოვმა, დაიდგა ს-ის გარდაცვალების შემდეგ, 1871, იქვე). ეკუთვნის აგრეთვე სიმფ., საგუნდო და სხვ. ნაწარმოებები.

ს. რუს. კლასიკური მუსიკის კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია ვ. სტასოვთან ერთად. მის ნაწერებში პუბლიც. სიმახვილე შეერთებულია ესთეტ. ანალიზის ოსტატობასთან და მსჯელობის მეცნ. დასაბუთებულობასთან. აღსანიშნავია ს-ის ნაშრომები გლინკაზე, დარგომიჟსკიზე, ვაგნერზე, ბეთჰოვენზე და სხვ.

სეროვი ვალენტინ ალექსანდრეს ძე [7 (19) I. 1865, პეტერბურგი, — 22. XI (5. XII). 1911, მოსკოვი], რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი, კომპოზიტორ ა. *სეროვის* ვაჟი. ბავშვობაში სწავლობდა ი. რეპინთან და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1880—85) პ. ჩისტიაკოვთან. ცხოვრობდა პეტერბურგსა და მოსკოვში, ბევრს მოგზაურობდა როგორც რუს. ქ-ებში, ისე დას. ევროპაში. 1907 საბერძნეთში იყო, რამდენიმე წელს აბრამცევოში მუშაობდა. ს-ის შემოქმედების ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ძვ. ოსტატთა ფერწერამ, რ-საც მხატვარი რუს. და ევრ. მუზეუმებში გაეცნო. ახლო ურთიერთობა ჰქონდა მ. ვრუბელთან და კ. კოროვინთან. ადრინდ. პერიოდის მნიშვნელოვანი ნამუშევრებია პორტრეტ-სურათები „გოგონა ატმებით" (1887) და „მზით განათებული ქალიშვილი" (1888 — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). ამ სურათებში შუქისა და ფერის დამუშავება, რეფლექსების რთული პარმონია, ფერწერულობა, იმპრესიონიზმის გავლენაზე მიუთითებს. 1890-იანი წლებიდან მხატვრის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი დაიჭირა პორტრეტულმა ჟანრმა, ადამიანის ხასიათის ღრმა, მახვილი ფსიქოლ. გახსნა ს-ის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებად იქცა. ქმნიდა მწერლების, მხატვრების, მსახიობების პორტრეტებს (ა. მაზინი, 1890, კ. კოროვინი, 1891, ი. ლევიტანი, 1893, ნ. ლესკოვი, 1894 — ყველა ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). 1890-იან წლებში შეიცვალა მხატვრის ფერწერული მანერა — მან უარი თქვა 1880-იანი წლებისათვის დამახასიათებელ მდიდრულ, მსუქან, მრავალფეროვან ფერწერაზე და უპირატესობა მიანიჭა შავ-რუხ ან ყავისფერ გამას; რითაც ოსტატურად გადმოსცემდა ფერის მრავალფეროვან ნიუანსს, იყენებდა ფართო და თავისუფალ მონასმებს. 1894-იდან ს., *„პერედვიჟნიკთა"* საზოგადოების წევრი გახდა, იღებდა შეკვეთებს, ხატავდა პარადულ პორტრეტებს (ს. ბოტკინა, 1899, ფ. იუსუპოვი, 1903—ორივე რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). ამ პერიოდის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ცხოვრებისეული სიმართლე, დახვეწილი კომპოზიცია, წარმატებით იყენებდა ხაზობრივ-რიტმულ საწყისებს და დეკორ. ფერადოვან შეხამებებს, ქმნიდა ქალებისა და ბავშვების ინტიმურ, კამერულ პორტრეტებს, გადმოსცემდა ბავშვის სულიერ სიწმინდეს („ბავშვები", 1899, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი, „მიკა მოროზოვი", 1901, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). დიდი გატაცებით ასრულებდა გრაფ. პორტრეტების სერიას (ვ. კაჩალოვი, 1908, თ. კარსავინა, 1909 — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), ნახატებს ი. კრილოვის იგავ-არაკებისათვის (1895—1911; ტრეტიაკოვის გალერეა, რუს. მუზეუმი და სხვ. კოლექციები). 1890—1900-იან წლებში შექმნა ჟანრულ-პეიზაჟური კომპოზიციები („დედაკაცი ფორანზე", 1899, რუს. მუზეუმი). 1900-იან წლებში დაუკავშირდა *„მირ ისკუსსტვას"* (რ-ის წევრი დაარსების დღიდანვე იყო), მისი შემოქმედებიდან მთლიანად გაქრა იმპრესიონიზმის ნიშნები. ამიერიდან იგი ავითარებდა „მოდერნის" პრინციპებს, ამასთანავე, ინარჩუნებდა ადამიანისა და ბუნების აღქმის რეალისტურ საფუძვლებს, აძლიერებდა სოც.-ფსიქოლ. დახასიათებას (მ. გორკი, 1904, მ. გორკის მუზეუმი, მოსკოვი; მ. ერმოლოვა, 1905, თ. შალიაპინი, ნახშირი, 1905 — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). ს-ის დემოკრ. შეხედულებები ნათლად გამოჩნდა 1905—07 რევ. წლებში. ამ დროს მხატვარმა შექმნა მთელი რიგი სატირული ნამუშევრები, სადაც მკაცრად ამხილა მმართველი წრეები. 1905 წ. 9 იანვ. დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ს-მა პროტესტის ნიშნად დატოვა სამხატვრო აკადემია (სამხატვრო აკად. ნამდვილ წევრად აირჩიეს 1903). ასწავლიდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1897—1909). მისი მოწაფეები არიან პ. კუზნეცოვი, ნ. საპუნოვი, მ. სარიანი, კ. პეტროვ-ვოდკინი, კ. იუონი და სხვ.

ილუსტრაცია — *იხ.* ჩანართი, გვ. 289.

სეროვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე [8 (21). VII. 1910, სოფ. ემაუსი, ახლანდ. კალინინის ოლქი, — 19. I. 1968, მოსკოვი], საბჭ. ფერმწერი და გრაფიკოსი. სსრკ სახ. მხატვარი (1958), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1954, პრეზიდენტი 1962—68). სკკპ წევრი 1942-იდან. სწავლობდა ლენინგრ. სამხატვრო აკადემიაში ვ. სავინსკისთან (1927—31) და ი. ბროდსკისთან (1931—33). ასწავლიდა იქვე 1933—42. რსფსრ მხატვართა კავშირის I მდივანი (1960 — 68). 1941 — 43 თავ-რეობდა მხატვართა კავშირის ლენინგრ. განყ-ბას. ს-ის სურათები უმთავრესად ისტ.-რევ. თემაზეა შექმნილი. ნამუშევრები: „ვ. ი. ლენინი აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას" (1947, ჩინ. სრ., დუბლირებული 1962, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, სსრკ სახელმწ. პრემია, 1948), „ხოდოკები ლენინთან" (1950, ვ. ი. ლენინის ცენტრ. მუზეუმი, მოსკოვი; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). შექმნა ლენინგრ. ბლოკადის მებრძოლთა პორტრეტები, პეიზაჟები, პლაკატები, წიგნის ილუსტრაციები. სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრი (1961-იდან). ს. დაჯილდოებულია ლენინის 2 ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სეროვი (1939-მდე ნ ა დ ე ჟ დ ი ნ ს კ ი), ქალაქი რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, ურალის აღმ. კალთაზე, მდ. კაკვის მარცხ. ნაპირზე. სეროვის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო გზების კვანძი. 101 ათ. მცხ. (1983). არის მეტალ., ფეროშენადნობთა, რკინაბეტონის ნაკეთობათა, სარემონტო-მექან. ქ-ნები, ხის დასამუშ. კომბინატი, კვების მრეწვ. საწარმოები, სეროვის სრესი. ურალის პოლიტექ. ინ-ტის ფაკ-ტი, მეტალ. ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სეროთერაპია (ლათ. serum — შრატი და *თერაპია*), ადამიანისა და ცხოველთა დაავადებების (უმეტესად ინფექციური) *იმუნური შრატებით* მკურნალობის მეთოდი. სამკურნ. ეფექტი დაფუძნებულია პასიური *იმუნიტეტის* მოვლენაზე — მიკრობების (ტოქსინების) გაუვნებლობაზე ანტისხეულებით (ანტიტოქსინებით), რ-ებსაც შეიცავს ცხოველების (უფრო ხშირად ცხენის) ჰიპერიმუნიზაციის შედეგად მიღებული შრატი. ს-თვის იყენებენ აგრეთვე გასუფთავებულ და კონცენტრირებულ შრატებს, *გამა-გლობულინებს* — ჰეტეროგენულს (მიიღება იმუნიზებული ცხოველის შრატისაგან) და ჰომოლოგიურს (მიიღება იმუნიზებული ან დაავადებაგადატანილი ადამიანის შრატისაგან). იმუნური შრატები იხმარება დიფთერიის (უმეტესად დაავადების დასაწყისში), *ბოტულიზმის*, შხამიანი გველის კბენის დროს, გამა-გლობულინები — გრიპის, ჯილეხის, ტეტანუსის, სტაფილოკოკური ინფექციის (უფრო ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი მიკრობებით გამოწვეული დაავადების) და სხვათა შემთხვევაში. ს-ის გართულებათა (ანაფილაქსიური შოკი, შრატისმიერი დაავადება) თავიდან ასაცილებლად შრატები და ჰეტეროგენული გამაგლობულინები ორგანიზმში შეჰყავთ სპეც. მეთოდიკით (წინასწარ კეთდება კანის სინჯი).

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ უ ლ პრაქტიკაში იმუნურ შრატებს, მ. შ. გამა-გლობულინებს, იყენებენ ჯილეხის, მსხვ. რქ. საქონლის, ცხვრისა და ღორის პემორაგიული სეპტიცემიის, ბატკნის ანაერობული დიზენტერიის, ღორის წითელი ქარისა და სხვ. დაავადებების მკურნალობის დროს.

სეროლოგია (ლათ. serum — შრატი და ...ლოგია), *იმუნოლოგიის* დარგი, რ-იც შეისწავლის სისხლის შრატის ანტისხეულების ანტიგენებთან ურთიერთქმედებას. სეროლოგიური რეაქცია შეიძლება იყოს პირდაპირი (ორკომპონენტიანი) — *აგლუტინაციის*, პასიური ჰემაგლუტინაციის, *პრეციპიტაციის* და სხვ... და არაპირდაპირი (სამკომპონენტიანი) — ნეიტრალიზაციის (მაგ., მიკრობის) რეაქცია, ჰემაგლუტინაციის შეკავების რეაქცია და სხვ. რამდენიმე „მარტივი“ რეაქციიდან იქმნება რთული სეროლოგიური რეაქციები — *ბაქტერიოლიზი*, კომპლემენტის შებოჭვის რეაქცია და ა. შ. გავრცელებულია იმუნოფლუორესცენტული მეთოდებიც, რ-ებიც ანტისხეულების (ანტიგენების) ფლუოროქრომებით შეღებვის მეთოდზეა დაფუძნებული. სეროლოგიური რეაქციების განსაკუთრებული სახეა მიკროორგანიზმების მოძრავი ფორმების იმობილიზაციის გამოყენება (მაგ., მკრთალი ტრეპონემების იმობილიზაციის რეაქცია *ათაშანგის* დროს). ზოგიერთი სეროლოგიური გამოკვლევა ტარდება არა სინჯარაში, არამედ უშუალოდ ექსპერ. ცხოველის ორგანიზმში (შეჰყავთ სერიულად განზავებული იმუნური შრატი და მიკრობების ლეტალური დოზა).

სეროლოგიურ რეაქციებს იყენებენ მეცნ. და დიაგნოსტიკური (იხ. *სეროდიაგნოსტიკა*) მიზნით ინფექციურ და არაინფექციურ იმუნოლოგიაში, მაგ., სისხლის გადასხმის დროს სისხლის ჯგუფების, აგრეთვე ცილების სახეობრივი და ინდივიდ. სპეციფიკურობის დასადგენად; ეპიდემიოლოგიასა და ეპიზოოტოლოგიაში — ინფექციის წყაროსა და მისი გადაცემის გზების, აგრეთვე ადამიანის იმუნიტეტის გამოსავლენად, ვაქცინაციის ეფექტურობის დასადგენად და სხვ. ანტიგენებსა და ანტისხეულებს შორის რეაქციები საფუძვლად უდევს *სეროპროფილაქტიკასა* და *სეროთერაპიას*. ს-ის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მაღალსპეციფ. დიაგნოსტიკური და სამკურნ. შრატების მიღების მეთოდების შემუშავება, შრატების აქტიურობის შეფასება და მათი მოქმედების მექანიზმების დადგენა.

სეროპროფილაქტიკა (ლათ. serum — შრატი და *პროფილაქტიკა*), იმუნური შრატებით ადამიანისა და ცხოველების დაავადებათა (უმეტესად ინფექციური) პროფილაქტიკის მეთოდი, რითაც იქმნება შედარებით ხანმოკლე (1—4 კვირა) პასიური *იმუნიტეტი*. თანამედროვე სამედ. პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ *გამა-გლობულინებს*. ს. ტარდება ეპიდემიურ კერებში, ტრავმის დროს (*ტეტანუსის* თავიდან ასაცილებლად), რომელიმე ცხოველის (*ცოფის* პროფილაქტიკისათვის) ან ტკიპების (ტკიპისმიერი ენცეფალიტის პროფილაქტიკისათვის) კბენის შემდეგ; გეგმიური ს. ტარდება ეპიდემიური ჰეპატიტის დროს.

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ულ პრაქტიკაში ს-ს იყენებენ ხბოს კოლიბაქტერიოზის, გოჭის პარატიფისა და სხვ. დაავადებების შემთხვევაში. ზოგიერთი ინფექციური დაავადებისას (მაგ., აუესკის დაავადება) ხმარობენ შრატის გლობულინიან ფრაქციას ან იმუნიზებული ცხოველის რძის შრატს (თურქულის საწინააღმდეგო იმუნოლაქტონი).

სეროტონინი, 5-ოქსიტრიპტამინი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რ-იც შედის ცხოველებისა და ადამიანის სისხლისა და ქსოვილების შედგენილობაში. ს. წარმოადგენს შესაძლო და მთელ რიგ შემთხვევებში დადასტურებულ *მედიატორს*. ს. დიდი რაოდენობითაა მოლუსკების, ამფიბიების, ფეხსახსრიანების, ნაწლავღრუიანების შხამში. ორგანიზმში ს-ის სინთეზი ხდება ამინომჟავა *ტრიპტოფანიდან*, ადამიანსა და ხერხემლიანებში — ძირითადად წვრილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის უჯრედებში, აგრეთვე კუჭქვეშა ჯირკვალსა და ცენტრ. ნერვულ სისტემაში. ქსოვილებში ს. გარდაიქმნება 5-ოქსიინდოლძმარმჟავად, რ-იც ორგანიზმიდან გამოდის თირკმლების გზით. ს. ძლიერად მოქმედებს სისხლძარღვების ტონუსზე, მონაწილეობს ცენტრ. ნერვული სისტემის ფუმორალურ რეგულაციაში. ფიქრობენ, რომ ს-ის ცვლის მოშლა განაპირობებს გულის კუნთის ინფარქტს, წყლულოვან და სხვ. დაავადებებს.

სერპენტინი (ფრანგ. serpentine < ლათ. serpens — გველი; ზოგი ს-ის შეფერილობა გველის კანს მოგვაგონებს), სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Mg_6[Si_4O_{10}](OH)_8 \cdot$ გამოყოფენ ს-ის 3 სახესხვაობას: მიკროქერცლოვან—ანტიგორიტს, წმინდაბოჭკოვან — ქრიზოტილსა და წვრილმარცვლოვან — ლიზარდიტს. ყველა სახესხვაობა კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. ს. თეთრი, მოყვითალო, მწვანე და მურა მწვანე ფერისაა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2,5—3; სიმკვრივე 2550 $кг/м^3$. წარმოიქმნება ჰიდროთერმული ხსნარების მოქმედების შედეგად ულტრაფუძე ქანების გარდაქმნით. ს. *სერპენტინიტის* ქანთმაშენი მინერალია.

სერპენტინიტი, მეტამორფული ქანი რ-იც წარმოიქმნება ულტრაფუძე ქანების გარდაქმნის (ე. წ. სერპენტინიზაციის) შედეგად. ს. ძირითადად *სერპენტინისაგან* შედგება. იყენებენ შესამოს მასალად, აგრეთვე ცეცხლგამძლე მასალების დასამზადებლად; ნახევრად გამჭვირვალე სახეობას, ოფიოკალციტს — როგორც სანახელაო ქვას.

„სერა ი ვოლოტ“ მოსკოვის მეტალურგიული ქ-ა, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის საწარმო; ამზადებს სამ. და წვრილსორტულ ნაგლინს, გლინულას, დაყალიბებულ ფოლადს, ცივნაჭიმ მავთულს, ცხლად გლინულ თხელფურცლიანსა და ცივად გლინულ ფურცლოვან ფოლადს; ფასონურ სხმულსა და ფოლადის ბაგირებს; დააარსა ფრანგმა მეწარმემ გუჟონმა (1883). პირველი მარტენის ღუმელი ააშენეს 1890, მეორე — 1892. ქ-ნის მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ 1905—07 წწ. და ოქტ. რევოლუციაში (1917). 1931-იდან ქ-ნა, სპეციალიზდება ხარისხიანი ფოლადისაგან პროდუქციის წარმოებაზე. 1929—35 ჩატარდა ქ-ნის რეკონსტრუქცია, რ-ის შედეგად მისი სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) ქ-ნა პროდუქციას ამზადებდა ფრონტისათვის. 1968 ჩატარდა ქ-ნის ხელახალი რეკონსტრუქცია. ქ-ნა დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა (1939) და შრომის წითელი დროშის ორდენით (1945).



ვლ. სეროვი.

სერპუხოვი, ქალაქი რსფსრ მოსკოვის ოლქში, მდ. ნარის ნაპირზე. სერპუხოვის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური მოსკოვ—ტულის ხაზზე. ნავმისადგომი მდ. ოკის მარცხ. ნაპირას (სადაც ერთვის მდ. ნარა). 142 ათ. მცხ. (1983). ცნობილია 1339-იდან, 1341—1456 სერპუხოვის საუფლისწულო სამთავროს ცენტრია. 1462 შეუერთდა მოსკ. სახელმწიფოს. XVI—XVII სს-ში ვაჭრობა-ხელოსნობის დიდი ცენტრია. 1708-იდან მოსკ. გუბ. შემადგენლობაშია, 1781-იდან სამაზრო ქალაქია. 1896 აღმოცენდა პირველი მარქსისტული წრე. 1905 შეიქმნა ს.-დ. ორგანიზაცია. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.). ქალაქი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (1982).

ს-ში არის მანქანათსაშ. საწარმოები, ხელოვნური ბოჭკოს, ელექტრო-მექან., ტყავის ქ-ნები, ბამბეულის კომბინატი, ავეჯისა და ქაღალდის ფ-კები, სახლთსაშენებელი კომბინატი, კვების მრეწვ. საწარმოები; სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „კონდენსატორი“. ქალაქის ძვ. ნაწილი მდებარეობს მაღალ კონცხზე, მდ. სერპეიკისა და მდ. ნარის შესართავში. აქ შემონახულია კრემლის თეთრი ქვის კედლების ნაშთი (დაახლ. 1556), კრემლში — სამების ტაძარი (1696). ძვ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია ვლადიჩნის (გიორგის ეკლესიითა და სატრაპეზოთი, 1599-ის შემდეგ), ვისოცკის (ტაძარი, XVI ს.) და სხვა სამონასტრო ანსამბლები, XIX ს. I ნახ. ქვის სახლები (კლასიციზმი) და სხვ. ს-ში არის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, მანქანათმშ., ხელსაწყოთმშენებლობის, ვაჭრობის ტექნიკუმები, სამედ. და პედ. სასწავლებლები. ისტ.-სამხატვრო მუზეუმი. ს-ის მახლობლადაა სსრ მეცნ. აკად. ბიოლ. კვლევის სამეცნ. ცენტრი, სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის ს-ის რადიოასტრონ. ობსერვატორია (ქ. პუშჩინო), აგრეთვე მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტის სამეცნ. კომპლექსი და 76 *გევ* ენერგიამდე პროტონების ამჩქარებელი (ს-ის სინქროფაზოტრონი, დაბა პროტვინო).

სერპუხოვი. ციხესიმაგრის კედელი. 1566. ფრაგმენტი.

სერჟანტი (ფრანგ. sergent < ლათ. serviens — მოსამსახურე), სამხედრო წოდება სსრკ შეიარაღებულ ძალებსა და მრავალ სხვა სახელმწიფოში. რუსეთში ს-ის ჩინი არსებობდა XVII ს-იდან 1798-მდე. სსრკ-ში არის (1940-იდან) უმცროსი ს-ის, ს-ის და უფროსი ს-ის წოდებები.

სერჟიპი (Sergipe), შტატი ჩრდ.-აღმ. ბრაზილიაში. უჭირავს ატლანტის ოკ. სანაპირო და ბრაზილიის ზეგნის კალთები. ფართ. 22 ათ. $км^2$. მოსახლ. 1031 ათ. კაცი (1977). ადმ. ც. და მთავარი ნავსადგური — არაკაჟუ. ს. ჩამორჩენილი აგრ. შტატია. მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბამბა, ბრინჯი, აგრეთვე აგავა, თამბაქო, მანიოკი. მისდევენ ექსტენსიურ სახორცე მეცხოველეობას. იღებენ ნავთობსა და აირს, სუფრის მარილს. არის საფეიქრო, კვების, ტყავის მრეწვ. საწარმოები.



ე. სერქებაევი.



გ. სესიაშვილი. „მიჯნის ამოგდება". თაბაშირი. 1931. მზატვრის სახელოსნო.

სერტიფიკატი (ფრანგ. certificat <გვიანდ. ლათ. sertifico — ვადასტურებ), 1. ამა თუ იმ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი (მაგ. ს. ზღვაოსნობისათვის გემის ვარგისობის შესახებ, სამედ. ს. ამა თუ იმ ქვეყანაში გამგზავრებისას აცრების ჩატარების შესახებ); 2. სპეც. სახელმწ. სესხის ობლიგაციის სახელწოდება. მაგ., სსრკ-ში სახელმწ. შრომითი შემნახველი სალაროების ს. (1927). 3. სადაზღვევო ს. — სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შემცველი დოკუმენტი, რ-იც ცვლის დაზღვევის პოლისს. 4. საგარეო ვაჭრობაში ხარისხის ს. — დოკუმენტი, რ-ითაც დასტურდება საქონლის ხარისხი. გასცემს კომპეტენტური ორგანო (მაგ., სსრკ-ში — სავაჭრო-სამრეწვ. პალატა).

სერქებაევი ერმექ ბექმუპამედის ძე (დ. 4. VII. 1926, პეტროპავლოვსკი), ყაზახი საბჭ. მომღერალი (ლირ. ბარიტონი). სსრკ სახ. არტისტი (1959). სკკპ წევრი 1958-იდან. 1951 დაამთავრა ალმა-ათის კონსერვატორია (ა. კურგანოვის კლასი). 1947-იდან აბაის სახ. ალმა-ათის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. პარტიები: აბაი (ჟუბანოვისა და ჰამიდის „აბაი"), კოჟაგული, ამანგელდი (თულებაევის „ბირჟანი და სარა", „ამანგელდი"), კაპანი, არტემი (ბრუსილოვსკის „ერ-თარღინი", „დუდარაი"), ევგენი ონეგინი, მაზეპა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", „მაზეპა"), ესკამილიო (ბიზეს „კარმენი"), ოლეგ კოშეოი, ვლადიმერ ულიანოვი (მეიტუსის „ახალგაზრდა გვარდია", „ძმები ულიანოვები"). გამოდის კამერული და საესტრადო რეპერტუარითაც. სსრკ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ყაზ. სსრ ქ. ბაისეითოვას სახ. სახელმწ. პრემია (1972).

სერჯი (Sergi) ჯუზეპე (20. III. 1841, მესინა, — 12. X. 1936, რომი), იტალიელი ანთროპოლოგი, იტალ. ანთროპოლ. სკოლის ფუძემდებელი. იყო ბოლონიისა (1880) და რომის (1884—1916) უნ-ტების პროფესორი. აქვს კრანიომეტრიული და კრანიოსკოპიული გამოკვლევები, აგრეთვე ნაშრომები რასათმცოდნეობაში; სწავლობდა *პალეოანთროპოლოგიისა* და *ანთროპოგენეზის* პრობლემებს.

სესია (ლათ. sessio — სხდომა), წარმომადგენლობითი ორგანოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო კონფერენციისა და სხვ. მუშაობის პერიოდი. სსრკ-ში ს. სახ. დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის ძირითადი ფორმაა. სსრკ



ს ე ს ი უ. „შემოდგომის პეიზაჟი". ტუში. ეროვნული მუზეუმი. ტოკიო.

უმაღლესი საბჭოს ს-ს წელიწადში 2-ჯერ იწვევენ. რიგგარეშე ს-ს იწვევს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი (სსრკ კონსტ., მ. 112).

სესია ს ა გ ა მ ო ც დ ო, სსრკ-ში გამოცდების ჩაბარების პერიოდი უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში (სადაც მიღებულია *სწავლების საკურსო სისტემა* ან სწავლების საგნობრივ-საკურსო სისტემა). დღისა და საღამოს სწავლების ფაკ-ტებზე წელიწადში დაწესებულია 2, ხოლო დაუსწრებელი სწავლების ფაკ-ტებზე — 1 ს. ს-ზე გატანილი გამოცდების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებელში არ აღემატება 5-ს, ხოლო საშ. სასწავლებელში — 4-ს. ს-ზე სტუდენტები დაიშვებიან ყველა *ჩათვლის* მიღების შემდეგ. სსრკ-სა და სოციალ. ქვეყნებში სტუდენტები, რ-ებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად, ს-ების პერიოდში იღებენ დამატებით შვებულებას ხელფასის შენარჩუნებით.

სესიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე [დ. 31. XII. 1893 (12. I. 1894), თბილისი], ქართველი საბჭ. მოქანდაკე, გრაფიკოსი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). სწავლობდა ჟენევაში (1912), პარიზში (1913—14), თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1922—28), იყო ი. ნიკოლაძის მოწაფე. 1934-იდან იქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას (1965-იდან პროფესორი). ს-ს შესრულებული აქვს ე. ციციშვილის (1941), ნ. ჯალაღონიას (1957), ე. ბუჩუკურის (1958), პორტრეტები. განსაკუთრებით გატაცებულია რელიეფური პლასტიკით. გამოიმუშავა თავისებური ტექნიკა-გიფსოგრაფია (რელიეფური ხაზებით გამოყვანილი ნახატი). ნამუშევრები: „ქარში" (ბარელიეფი, 1930), „მუშაობის შემდეგ" (1936), „პარტიზანი" (1944), „უხვი მოსავალი" (1956), „ბანაობის შემდეგ" (1959), „ქალიშვილი" (1960), „იყო არაბეთს როსტევან..." (1958, ყველა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, თბილისი) და სხვ. მისი ნაწარმოებების ძირითადი თემაა ადამიანის იდეალურად ლამაზი სხეული, მოძრაობის პლასტიკის მრავალფეროვნება, დინამიკა, რიტმი, რაც მკაფიოდ გამოვლინდა მის რელიეფებში, მცირე ქანდაკებასა და გრაფ. სერიებში.

სესიუ, ტოიოოდა (1420, აკაჰამა, ოკაიამის პრეფექტურა, — 1506, სუო, იამაგუტის პრეფექტურა), იაპონელი ფერმწერი. ბუდისტური სექტის ბერი. სწავლობდა პეიზაჟისტ სიუბუნთან. 1463—69 ცხოვრობდა ჩინეთში, სადაც შეისწავლა XII—XIII სს. ოსტატთა ნამუშევრები. ს-ს ეკუთვნის ტუშით დახატული, მონოქრომული ხასიათის პეიზაჟები, პორტრეტები, ღმერთებისა და ცხოველთა გამოსახულებები („შემოდგომის პეიზაჟი", ტუში, ეროვნ. მუზეუმი, ტოკიო).

სესკვიტერპენები, *ტერპენების* კლასის ნახშირწყალბადები, $C_{15}H_{24}$, და მათი ჟანგბადიანი ნაწარმები. სახელწ. „ს." (ლათ. sesqui — ერთნახევარჯერ) გვიჩვენებს, რომ მათი მოლეკულური მასა მონოტერპენებისაზე 1,5-ჯერ მეტია, როგორც ტერპენებს, ს-ს შეიცავს ეთერზეთები და ბალზამები. ს-ს იყენებენ პარფიუმერიასა და მედიცინაში.

სესკლო (Sesklo), მრავალფენიანი სამოსახლო ბორცვი (უკერამიკო ნეოლითიდან შუა ბრინჯაოს ხანამდე) ქ. ვოლოსის (საბერძნეთი) სამხრ-ით. გათხარეს 1901—02 (ხ. ცუნტასი), 1956 (დ. თეოხარისი). კულტ. ფენის საერთო სისქეა 3—6 *მ*. განსაკუთრებით ცნობილია შუა ნეოლითის ხანის (ძვ. წ. VI ათასწლ. — ძვ. წ. V ათასწლ. I ნახ.) აღმოჩენები, რ-თა მიხედვითაც მიიღო სახელწოდება თესალიასა და ნაწილობრივ დას. მაკედონიაში გავრცელებულმა ს-ს ნეოლითურმა კულტურამ. მისთვის დამახასიათებელია შუაში კონტრფორსებიანი, გეგმით სწორკუთხა და მეგარონის ტიპის სახლები, რ-ებიც სწორ რიგებად იყო განლაგებული. ნაპოვნია მოხატული კერამიკა (თეთრ ფონზე წითელი გეომ. ფიგურები, იშვიათად — პირიქით). ქალისა და კაცის თიხის მცირე ზომის ქანდაკებები, თიხის ბურთულები, ეჩოები და სხვ. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.

ლიტ.: **Титов В. С.,** Неолит Греции. Периодизация и хронология, М., 1969.

სესლავინი ალექსანდრე ნიკიტას ძე (1780, სოფ. ესემოვო, ტვერის გუბ., — აპრ. 1858), 1812 სამამულო ომის გმირი, გენ.-ლ. (1814). დაამთავრა მე-2 კადეტთა კორპუსი, მსახურობდა გვარდიულ საარტილერიო ნაწილებში. საფრანგეთთან (1805—07) და ისმალეთთან (1806—12) ომების მონაწილე. 1812 სამამულო ომის დასაწყისში იყო მ. *ბარკლაი-დე-ტოლის* ადიუტანტი. 1812 სექტ. დაინიშნეს ცხენოსანთა პარტიზ. რაზმის მეთაურად. მონაწილეობდა ვიაზმის, ბორისოვის, ვილნოს განთავისუფლებაში. ლიახოვოსთან 2 ათ. ფრანგის დატყვევებაში მონაწილეობისათვის პოლკოვნიკის ჩინი მიიღო, ხოლო *ლაიფციგის ბრძოლაში* (1813) თავის გამოჩენისათვის — გენ.-მ ჩინი. 1814 გადადგა.

სესტრორეცკი, ქალაქი რსფსრ ლენინგრადის ოლქში, ექვემდებარება ლენინგრ. ქალაქის საბჭოს. გაშენებულია ჩდ. სესტრისა და ფინ. ყურის ნაპირზე. რკინიგზის სადგური. ლენინგრადიდან 34 *კმ*. არის ინსტრუმ. ქ-ნა, ლენინგრ. სამკერვალო-სატრიკოტაჟო გაერთიანება „ვესნის" ფილიალი. პედსასწავლებელი.

ს. ბალნეოლ. და ზღვისპირა კლიმ. კურორტია, შედის ლენინგრ. საკურორტო რ-ნში. სამკურნ. საშუალება: კლიმატოთერაპია, ზღვაში ბანაობა, ქვიშის პლაჟი, წიწვიანი ტყე, მინერ. წყაროს წყალი, რ-საც იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სანატორიუმი, ბავშვთა სანატორიუმები, პანსიონატი, სეზონი—მთელი წელი.

სესხება ე ნ ა შ ი, სიტყვების, ზოგჯერ სხვა ენობრივი ელემენტების შეთვისება ერთი ენიდან მეორეში. ადამიანთა საზბის განვითარება ხდება მასში შემავალ კოლექტივთა ურთიერთმოქმედების პირობებში, რაც ენათა ურთიერთგავლენაშიც ვლინდება. ეს გავლენა ენის სხვადასხვა რგოლზე სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდება. რაც უფრო შემოფარგლულია სისტემობრივად ესა თუ ის რგოლი, მით უფრო ძნელია გარეშე ელემენტების შეღწევა მასში, ამიტომაც მეტად იშვიათია ს. ფონოლოგიაში (ბგერებისა), მორფოლოგიაში (გრამატ. ელემენტებისა), მაგრამ ადვილია სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორეში (სათანადო საგნების, მოვლენების, ცნებების გადასვლასთან ერთად). ს. უპირატესად ხდება იმ საერთაშ. სიტყვებისა, რ-ებიც მეცნ., ტექ., ხელოვნ., პოლიტიკის და სხვ. ტერმინებს, აგრეთვე ენობრივი კოლექტივისათვის მანამდე უცნობ საგანთა და მოვლენათა სახელწოდებებს გამოხატავენ, ამდენად იგი ენის გამდიდრების წყაროა. ნასესხები სიტყვა ფონეტიკურადაც და გრამატიკულადაც მსესხებელი ენის ყალიბში ექცევა, ამიტომ იგი გავლენას ვერ ახდენს მსესხებელი ენის სტრუქტურაზე.

ქართვ. ხალხს საუკუნეთა მანძილზე მრავალ ხალხთან ჰქონია ურთიერთობა, რის შედეგადაც ხდებოდა სიტყვათა ს. სხვადასხვა ენიდან: ბერძნულიდან, სპარსულიდან, აგრეთვე საშ. ირან. ენებიდან, სირიულიდან, სომხურიდან, არაბულიდან, თურქულიდან და სხვ., ხოლო XIX ს-იდან გზა გაეხსნა ინტერნაციონალიზმებს, რ-ებიც უპირატესად რუსულის გზით შემოდიან. რაკი საზღვარგარეთული მწიგნობრობა ბევრ შემთხვევაში უშუალოდაც ხელმისაწვდომია, ამიტომ საერთაშ. სიტყვების შემოსვლა ქართულში უშუა-

ლოდაც ხდება. ს-ის კერძო შემთხვევაა *კალკი*. *ბ. ფოჩხუა.*

სესხი სამოქალაქო სამართალში, ხელშეკრულება, რ-ის მიხედვითაც ერთი მხარე (გამსესხებელი) მეორე მხარეს (მსესხებელს) გადასცემს საკუთრებად ფულს ან გვარეობითი ნიშნით, რიცხვით, ზომითა თუ წონით განსაზღვრულ ნივთს; მსესხებელი კი ვალდებულებას კისრულობს დაუბრუნოს გამსესხებელს იმავე რაოდენობის თანხა ან იმგვარივე და იმავე ხარისხის ნივთი (საქ. სსრ სამოქ. სამართ. კოდ., მმ. 391—398). ს-ის თაობაზე უფლება-მოვალეობანი მხოლოდ იმ მომენტიდან წარმოიშობა, როცა მსესხებელს გადაეცემა ფული თუ ნივთი. თუ ხელშეკრულებაში ვადა არ არის აღნიშნული, მსესხებელი ვალდებულია გამსესხებელს დაუბრუნოს ვალი პირველი მოთხოვნისთანავე. ს-ის ხელშეკრულება 50 მანეთზე მეტ თანხაზე უნდა გაფორმდეს წერილობით. ს-ის ხელშეკრულება ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. საქართველოში. ვახტანგ VI-ის სამართალში სპეციალურად არის გამოყოფილი „კარი ... ვალისა, თუ როგორ აიღების“ (მმ. 116—48). *ვ. მაყაშვილი.*

სესხის კონვერსია, იხ. *კონვერსია.*

სეტარიოზები, ცხოველთა ჰელმინთოზური დაავადებები. იწვევს Setaria Viborg-ის გვარის ფილარიები, რ-ებიც პარაზიტობენ მუცლის ღრუში, თავისა და ზურგის ტვინში. გავრცელებული არიან ევრ., აზიის, აფრ., ამერ. ქვეყნებში. ს-ის გამომწვევის წყაროა ს-ით დაავადებული ცხოველი, გადამტანი — სისხლმწოველი კოღოები და ბუზები. დიაგნოზს ადგენენ ვისნელის ლაბორ. გამოკვლევის შედეგად. მკურნალობა ჯერჯერობით დაუმუშავებელია. პროფილაქტიკა: სეტარიების გადამტან მწერებთან ბრძოლა.

ი. სადათერაშვილი.

სეტერი (ინგლ. setter < set — ნაბულის ქეთება), მეძებარი ძაღლების ჯიში. იყენებენ გარეულ ფრინველზე სანადიროდ. გამოირჩევა ძლიერი ყნოსვითა და თანდაყოლილი ნაბუქით. ს-ის 3 ჯიში — ინგლ., ირლანდ. და შოტლანდ. — გამოყვანილია XIX ს. I ნახევარში დიდი ბრიტ. კ-ებზე. XIX ს. II ნახევარში ს. შეიყვანეს რუსეთში, შემდეგ გავრცელდა საქართველოში. ინგლ. ს. საშ. ტანისაა, წაგრძელებული ფორმა აქვს, ხმელ-ხმელი, მაგარი აღნაგობის ძაღლია. სხვა მეძებრებისგან განსხვავდება ძებნის ლამაზი, სწრაფი, დაფენილი მოძრაობის მანერით. შემოსილია აბრეშუმივით რბილი და გრძელი ბეწვით. შეფერილობა: თეთრ ფონზე შავი, ნარინჯისფერი ან ყვითელი ლაქები ან ლაქები. ირლ. ს. ხმელ-ხმელი მაღალფეხება ელეგანტური გარეგნობის ძაღლია. გამოირჩევა დაუოკებელი ტემპერამენტითა და სწრაფი ძებნის მანერით. შემოსილია წითელი, სწორი, გრძელი ბეწვით. შ ო ტ. ს. მაგარი აღნაგობისა და ს-ებში ყველაზე დიდტანიანი ძაღლია. *გ. საყაძე.*

სეტიფი, ქალაქი ჩრდ.-აღმ. ალჟირში, სეტიფის ვილაიის ადმ. ცენტრი. 160 ათ. მცხ. (1977). რკინიგზის სადგური. სავაჭრო-სამრეწვ. ცენტრი. კვების, ელექტრონული მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება, პლასტმასის ნაკეთობათა ქ-ნა. ხალიჩების ქსოვა. დაარსდა ძვ. წ. I ს-ში.

სეტლმენტი (ინგლ. settlement), ჩინ. ს-ებში (ჩინ. სახ. რესპუბლიკად გამოცხადებამდე) სპეც. კვარტალი, რ-იც დაახლებული იყო უცხოელებით და *ექსტერიტორიულობით* სარგებლობდა.

სეტო-ნაიკაი, *იაპონიის შიგა ზღვის* იაპონური სახელწოდება.

სეტონ-ტომპსონი (Seton Thompson) ერნესტ (14. VIII. 1860, საუთ-შილდზი, დიდი ბრიტანეთი, — 23. X. 1946, სანტა-ფე, ნიუ-მექსიკო, აშშ), კანადელი მწერალი და მხატვარი. ავტორია მის მიერვე ილუსტრირებული 40-მდე წიგნისა, რ-თა ძირითადი ნაწილი ცხოველთა სამყაროს ეხება. ს.-ტ-ის პირველი ნაწარმოებია „მდელოს როჭოს ცხოვრება“ (1883). რამდენიმე წიგნი მიუძღვნა ინდიელებისა და ესკიმოსების ყოფას. ს.-ტ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია „გარეული ცხოველები, როგორც მე ვიცნობ“ (1898), „იმათი ცხოვრება, ვისზედაც ნადირობენ“ (1901) და სხვ. მასვე ეკუთვნის 8-ტომიანი შრომა „გარეული ცხოველების ცხოვრება“ (1925—27). ს.-ტ-ის წიგნებში მეცნ. სიზუსტე შერწყმულია საინტერესო თხრობასთან.

სეტუბალი (Setúbal), ქალაქი და ნავსადგური პორტუგალიაში, ატლანტის ოკ. სანაპიროზე, მდ. სადუს შესართავთან. სეტუბალის რ-ნისა და ეშტრემადურის ოლქის ადმ. ცენტრი. 50 ათ. მცხ. (1970). თევზჭერისა და თევზსაკონსერვო მრეწვ. ცენტრი. ძრავათ- და გემთმშენებლობა, სუპერფოსფატიანი სასუქების წარმოება, კორპის დამუშავება, მეღვინეობა.

სეტყვა, ატმოსფერული ნალექი, რ-იც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის (5—55 *მმ*, იშვიათად 130 *მმ*-მდე) სფერული ნაწილაკების ან ნატეხებისაგან. ს-ის მარცვალს შრეებრივი აგებულება აქვს — ერთმანეთს ენაცვლებიან 1 *მმ* სისქის გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე შრეები. ს., ჩვეულებრივ, ელჭექისა და თავსხმის დროს იცის, უმთავრესად წლის თბილ პერიოდში (როცა დედამიწის ზედაპირის ტემპ-რა 20°C-ზე მეტია). ს. მოდის გროვაწვიმის ღრუბლებიდან. ს-ის ზოლის სიგანე რამდენიმე *კმ*-ია, სიგრძე — ათეული, ზოგჯერ ასეული *კმ*. ს-ის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 5—10 *წთ*-იდან 1/2 *სთ*-მდეა (იშვიათად 1 *სთ*-მდე). ს-ის დროს 1 *წმ*-ში 1 $მ^2$ ზედაპირზე ეცემა 500—1000 მარცვალი, მათი სიმკვრივეა 0,5—09 $გ/სმ^3$. საქართველოში სეტყვიან დღეთა საშ. წლიური რიცხვია 0,2—10 (დას. საქართვ. ბარში 0,2—2, მთაში 6-მდე; აღმ. საქართვ. ბარში — 2—3, მთაში 10-მდე). ს. დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას (საქართველოში განსაკუთრებით ზიანდება კახეთის რ-ნები), ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ს-ის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებას. 1969 საბჭ. მეცნიერთა ჯგუფს მ. შ. ნ. *ბიბილაშვილს*, ა. *ბუბნიკაშვილს*, ბ. *კიზირიას*, გ. *სულაქველიძეს*, ა. *ქარცივაძეს* ს-ის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებისთვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. *შ. ჯაკობიშვილი.*

სეული, სამხრ. კორეის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია სანაოსნო მდ. ჰანგანის ნაპირზე, შესართავიდან (ყვითელი ზღვის კანჰუამანის ყურე) 90 *კმ*-ზე, 29 *მ* სიმაღლეზე. ჰავა მუსონურია. იანვ. საშ. ტემპ-რა –6,2°C, ივლ. 24,7°C . ნალექები დაახლ. 1200 *მმ* წელიწადში. 9,4 მლნ. მცხ. (1983). ს-ს აქვს პროვ. სტატუსი. ს. აღმოცენდა ადრინდ. შუა საუკუნეებში როგორც სამხ. სიმაგრე. XIV ს-მდე იყო პატარა ქალაქი. *ლის* დინასტიის დაარსების (1392) შემდეგ კორეის დედაქალაქი გახდა (1394) და სწრაფად განვითარდა. 1592—93 იაპ. ჯარებმა დაანგრიეს. კორეაზე იაპ. პროტექტორატის დამყარების (1905) შემდეგ იაპ. გენ. რეზიდენტის, ხოლო იაპონიის მიერ კორეის ანექსიის (1910) შემდეგ იაპ. გენ.-გუბერნატორის ადგილსამყოფელი გახდა. XIX ს. დასასრულიდან კორ. ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. 1948-იდან სამხრ. კორეის მთავრობის ადგილსამყოფელია.

ს. ქვეყნის მნიშვნელოვანი სატრანსპ. ცენტრია. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ს-ის ავიანპორტია საზღვ. ნავსადგური ინჩხონი (ჩემულპო), რ-საც უკავშირდება რკინიგზითა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალით. სამხ. ნავსადგური. აეროპორტი.


ს. ინჩხონთან ერთად ქმნის სამხრ. კორეის მნიშვნელოვან ეკონ. რ-ნს. 1950-იან წლებამდე განვითარებული იყო მხოლოდ მსუბუქი (უმთავრესად საფეიქრო) და კვების მრეწვ., 1960-იანი წლებიდან განვითარდა მეტალურგია, მანქანათმშ. ელექტროტექ., რადიოელექტრონული, ქიმ. მრეწველობა. არის რეზინის, ტყავის პოლიგრ., ქაღალდის, ფაიფურ-ჭაშანურის მრეწვ. საწარმოები, საშენ მასალათა (მინა, ცემენტი) წარმოება.

ს-ში არის ქვეყნის მთავარი საფინანსო და სამრეწვ. გაერთიანებები, სადაზღვევო და სავაჭრო კომპანიები, ბანკები, უცხოეთის ბანკებისა და ფირმების ფილიალები. მეტროპოლიტენი.

ქალაქის ცენტრს რეგულარული დაგეგმარება აქვს. ხუროთმოძღვრული ძეგლები: პოფჩხონსის ტაძრის ჰაონმიოთაპის 3-იარუსიანი პაგოდა (1085), ციხესიმაგრის გალავანი ჰანიანმონი (შემოინახა ნაწილობრივ, 1392—1446), რ-საც კარები სამხრ. და აღმ. მხარეს აქვს, კიონბოკუნის სასახლის კომპლექსი (1394; დაინგრა 1592, აღადგინეს XIX ს-ში; ისევ დაინგრა 1950—53 ომის დროს), ჩხანდოკის სასახლე (1404, დაინგრა 1592, აღდგენილია XVII ს-ში), ვონგაქსის ტაძრის პაგოდა (1467) და სხვ., დოქსუს ტაძარი (XVI ს.), რ-ის ანსამბლში შედის სოკჯოჯონის სასახლე (1901 — 11, ახლა ეროვნ. მუზეუმი და სახვ. ხელოვნ. მუზეუმი).


ს-ში არის სეულის სახელმწ. უნ-ტი, კერძო უნ-ტები, თეატრ., ქორეოგრაფიული ინ-ტები და სხვ., მეცნიერებათა ეროვნ. აკად., ხელოვნ. ეროვნ. აკად., გეოლ., ატომური ენერგიის, რადიაციული მედ. და სხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტები. დიდი ბ-კებია: ეროვნ. ცენტრ. და უნ-ტებთან არსებული; მუზეუმები: ეროვნ. კიონბოკუნის სასახლის სამხატვრო გალერეა, სახვ. ხელოვნების თეატრები; თეატრ. და სამუსიკო სზ-ები.

სეულის აჯანყება 1882, სახალხო ანტიფეოდალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება კორეაში. ფეოდ. ექსპლუატაციის გაძლიერებამ და ქვეყანაში უცხოელი (იაპონიის და სხვ.) კოლონიზატორების შემოჭრამ XIX ს. 70—80-იან წლებში გამოიწვია კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება. ამას დაერთო გვალვა და შიმშილი. ასეთ ვითარებაში 1882 წ. 23 ივლ. აჯანყდნენ სეულის გარნიზონის ჯარისკაცები. საბაბი გახდა მათთვის უგარგისი ბრინჯის დარიგება. აჯანყებულებს შეუერთდნენ ახლომახლო რ-ნების გლეხები და ქალაქის ღარიბობა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ჯარისკაცი სონ სუნ გილი. აჯანყებულებმა აიღეს ქალაქი. კორეისა და აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოძახებულმა ჩინ. ჯარებმა ჩაახშეს აჯანყება. 10 ხელმძღვანელი, მ. შ. სონ სუნ გილი, სიკვდილით დასაჯეს. იაპონიამ აიძულა კორ. მთავ-





სეტერი.



სეული. პედაგოგიური ცენტრი ნამსანის მთაზე. 1960-იანი წლები.



სეული. კიონბოკუნის პავილიონი კიონბოკუნის სასახლის პარკში. 1410.

სეული. დოქსუს სასახლე. XVI ს.

რობა ხელი მოეწერა ინჩხონის კაბალურ ხელშეკრულებაზე (1882 აგვ.), რ-ითაც ნებადართული იყო სეულში იაპ. ჯარების მუდმივად ყოფნა.

სეუტა, ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მაროკოში, გიბრალტარის სრუტის აღმ. ნაწილში. მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად ექვემდებარება ესპანეთს. 70,8 ათ. მცხ. (1981). თევზსაჭერი ნავსადგური. გემთსარემონტო, თევზსაკონსერვო და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები. დაარსდა ძვ. წ. VII ს-ში. ესპ. სამხ.-საზღვ. ბაზა.

სეჯა, გრძელი კარავი, რ-საც მართავენ სახელდახელოდ ცის ქვეშ ლხინის, ქორწილის ან ქელეხის დროს.

სეჯარეთი, სოფელი თერჯოლის რ-ნში (ძევრის სოფსაბჭო), ოკრიბა-არგვეთის სერის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთზე, მდ. ძევრულის სათავესთან. ზ. დ. 280 *მ*, თერჯოლიდან 13 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 26 *კმ*. ძევრის კოლ-ბა „სოციალისტური სოფელი" (მევენახეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ძევრში (1 *კმ*). ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

სეხე, 1. სენიორის — მეფის, *უფლის*, მეუფის საკუთრება V—XII სს. საქართველოში. ს-ის სინონიმებია ამ პერიოდში: „სამეფო", „საუფლო", „სამეუფო". 2. მეფე XIII—XVII სს. საქართველოში. აქედან არის ნაწარმოები ტერმ. „სასეფო"— სამეფო. 3. სამეფო დომენი V—XVII სს. საქართველოში. 4. საფეოდალო სახლი, საფეოდალო მამული (აქედან — „სასეფო გამოსაღები", „სეფაობა" — საბატონო გადასახადი).

V—XVII სს. წერილობით ძეგლებში (ბიბლიისა და ოთხთავის უძველესი თარგმანები, „ნინოს ცხოვრების" ადრინდ. რედაქციები, „ქართლის ცხოვრება", „ხელმწიფის კარის გარიგება", ისტ. დოკუმენტები) ს. გვხვდება როგორც ცალკე, ისე კომპოზიტებში: სეფეწული || სეფეკაცი || სეფეშვილი (სამეფო მიწაზე მოსახლე კაცი, სამეფო კაცი, სამეფო ვასალი), სეფექალი (დედოფლის მხლებელი, მოახლე ქალი), ს.-გლეხი (სამეფო გლეხი), სეფე-ქვეყანა || ს.-მიწა (სამეფო მიწა, სამეფო დომენი), ს.-დროშა (სამეფო დროშა), ს.-ზვარი (სამეფო ზვარი), ს.-მწიგნობარი (სამეფო მწიგნობარი), ს.-მეაბჯრე (მეფის მეაბჯრე), ს.-კარავი (სამეფო კარავი), ს.-ტაბაკი (სამეფო მაგიდა), სეფისკვერი (ზეციური მეუფის — ღმერთის პური) და სხვ.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც.. ტ. 1, თბ., 1955; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იქვე; ისტორიანი და აზმანი შარაენდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; გარიგება ჴელმწიფის კარისა, წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970.

ლიტ.: ალექსიძე ზ., უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ.განყ-ბის მოამბე», 1963, № 1. *ნ. შოშიაშვილი.*

სეხე, სოფელი დუშეთის რ-ნში (ქვეშეთის სოფსაბჭო), მთიულეთის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის ხეობაში. ზ. დ. 1400 *მ*, დუშეთიდან 65 *კმ*. მლეთის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ქვეშეთში (2 *კმ*).

სეხვეთი, სუფიურ-დერვიშული ორდენი, აღმოცენდა ქ. არდებილში (ირანის აზერბაიჯანი) XIII ს. დასასრულს. დამაარსებელი იყო შეიხი სეფი ად-დინ ისჰაკი (1252—1334). თავდაპირველად ორდენი თავის წევრებს იცავდა ფეოდალთა ჩაგვრისაგან. XV ს-ში ს-ს მეთაურებმ არდებილის ფეოდ. გამგებლები გახდნენ, ხოლო ს. — სეფიანი შეიხების დასაყრდენი პოლიტ. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ს-ს შეიხების სამხ. დასაყრდენი იყვნენ ყიზილბაშები. მათი იდეოლოგიური იარაღი იყო შიიზმი (იხ. *შიიტობა*).

ს-ს მიმდევრების გამოსვლა, რ-იც 1499 დაიწყო ისმაილის მეთაურობით (იხ. *ისმაილ I*) *აყ-ყოიუნლუს* წინააღმდეგ, მათი გამარჯვებითა და სეფიანთა სახელმწიფოს შექმნით დამთავრდა.

სეფევული, თავდაპირველად სამეფო სავარეულოს და სახლის, ხოლო შემდეგ საერთოდ საზოგადოების უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელი ანტიკურ და ადრინდ. ფეოდალურ საქართველოში.

უძველესი არაპირდაპირი ცნობა ქართლის ს-ებზე V ს. სომეხ ისტორიკოსს ფავსტოს ბუზანდს მოეპოვება, ხოლო *მოვსეს ხორენაცი* პირდაპირ აღნიშნავს მათ მეფურ შთამომავლობას. ამას ოთხთავის ძვ. ქართული თარგმანიც მოწმობს, რ-შიაც „ს." სომხ. სიტყვას „თაგავორაზნს" („მეფის ნათესავი", „მეფისტომი") შეესატყვისებოდა. ფიქრობენ, რომ *სტრაბონისეული* იბერიის (ქართლი) პირველი გეწოსი (გვარი), საიდანაც მეფეები სხდებოდნენ, ს-ებისაგან შედგებოდა. ამავე წრიდან ინიშნებოდა აგრეთვე ის ხელისუფალი, რ-საც სტრაბონი „მეფის შემდგომ მეორეს" უწოდებს. საერთოდ ქართლის ადრინდ. კლასობრივ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობები ს-ებს უნდა სჭეროდათ. შემდეგ ს-ები შორდებიან მთავარ სამეფო შტოს და ყალიბდებიან ქართლის არისტოკრ. უმაღლეს ფენად, რ-საც მთავართა და ერისთავთა სახლების შვილებიც მიეკუთვნებოდნენ.

ტერმ. „ს." ადრინდ. ფეოდ. ხანის შემდეგ აღარ იხმარებოდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1—2, თბ., 1970—73.

ა. ბოგვერაძე.

სეფიანები, დინასტია, რ-იც მეფობდა ირანსა, აზერბაიჯანსა, სომხეთის ნაწილსა და ავღანეთში 1502—1736. ს. თავს თვლიდნენ არდებილის სუფიურ-დერვიშული ორდენის შეიხის სეფი ალ-დინ ისჰაკის (1252—1334) შთამომავლებად. XV ს. II ნახევრიდან ისინი მსხვილ ფეოდალებად იქცნენ. აქტიურად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანში პირველობისათვის ატეხილ შინაურ ბრძოლებში. ს-მა ძალაუფლება ხელთ იგდეს ყიზილბაშური (თურქულ-თურქმენული, აზერბ.) ტომების დახმარებით. ს-ის დინასტიის დამაარსებელი ისმაილ I იყო. პირველ ხანებში ს-ის სახელმწიფოში წამყვან როლს ასრულებდა ყიზილბაშური ფეოდ. არისტოკრატია. დედაქალაქი იყო ჯერ თავრიზი (1502—48), მერე — ყაზვინი (1548—98). სასახლის კარზე და ჯარში გაბატონებული იყო თურქ.-აზერბ. ენა. შაჰ-აბას I-ის (1587—1629) დროს ყიზილბაშურმა არისტოკრატიამ დაკარგა პირველობა სახელმწიფოში. ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცების მიზნით შაჰ-აბას I-მა ჩაატარა ჯარის რეორგანიზაცია, რამაც ბირი გამოუთხარა ყიზილბაშური არისტოკრ. ძლიერებას. ს-ის ძირითადი დასაყრდენი გახდა ე. წ. „ახალი არისტოკრატია" (ქართველები, სომხები, ჩერქეზები...), ირანული სამოქალაქო ბიუროკრატია და მიწათმფლობელები. დედაქალაქი გადაიტანეს ისპაანში (1598). ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნამ განაპირობა ვაჭრობა-ხელოსნობის სწრაფი განვითარება. გაფართოვდა სავაჭრო-ეკონ. კავშირი ევრ. და აზიის ბევრ ქვეყანასთან. მნიშვნელოვნად განვითარდა ფეოდ. კულტურა (ისტორიოგრაფია, არქიტექტურა, მინიატურა, კედლის მხატვრობა და სხვ.). სახელმწ. რელიგიად გამოცხადდა შიიზმი. XVI ს-ში ირანში დაიწყო უცხოელი ვაჭარ-კოლონიზატორების შეჭრა. XVI ს. დასაწყისში პორტუგალიელებმა ხელთ იგდეს კ. ჰორმუზი (ისინი აქედან ინგლისელთა ფლოტის დახმარებით განდევნეს 1622), შემდეგ ირანში გაიხსნა ევრ. ოსტინდოეთის კომპანიის სააგენტოები. ირან. ქ-ებში გაჩნდნენ მისიონერები, რ-თა მოღვაწეობაც საფუძველს უმზადებდა ქვეყნის შემდგომ დაკაბალებას. XVII ს. ბოლოდან გლეხთა და ხელოსანთა სასტიკი ექსპლუატაციისა და მათი გაჩანაგების შედეგად იწყება ს-ის სახელმწიფოს შესამჩნევი დაცემა, რასაც ხელს უწყობდა გაუთავებელი ომები თურქეთთან და უზბეკთა სახანოსთან. XVIII ს. დასაწყისიდან გახშირდა დაპყრობილი ხალხების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ავღანელები...) აჯანყებები. ს-ის სახელმწიფო დაეცა 1722 მომთაბარე ავღანელთა შემოსევის შედეგად. ს-ის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი აბას III მოკლეს ნადირხან ავშარის ბრძანებით 1736. ს-ის დინასტიის შაჰები: ისმაილ I (1502—24), თამაზ I (1524—76), ისმაილ II (1576—77), მუჰამად ხუდაბანდა (1578—87), აბას I (1587—1629), სეფი I (1629—42), აბას II (1642—66), სულეიმანი (1666—94), სულთან-ჰუსეინი (1694—1722), თამაზ II (1722—32), აბას III (1732—36).

ლიტ.: გაბაშვილი ვ., სეფიანთა სახელმწიფო, კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; კუცია კ., სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958; История Ирана, М., 1977; Петрушевский И. П., Государства Азербайджана в XV в., Сборник статей по истории Азербайджана, в. 1, Баку, 1949; Эфендиев О. А., Образование азербайджанского государства сефевидов в начале XVI века, Баку, 1961.

დ. კაციტაძე.

სეფიაშვილი იაკობ მოსეს ძე (1867, სოფ. ლაგლაში, ახლანდ. ცაგერის რ-ნი, — 1919, ოდესა), ქართული კულტურის მოღვაწე, ქველმოქმედი. წარმოშობით ებრაელი. ს-მა სოფ. ლაილაშში საკუთარი სახსრებით ააგო (1916—17) გიმნაზიის შენობა (ამჟამად საშ. სკოლა), აგრეთვე შენობა, სადაც ახლა საბავშვო ბაღია მოთავსებული. სოფელში უსასყიდლოდ გაიყვანა წყარო („ოქრონიში"), რ-საც მიენიჭა ს-ის სახელი.

ლიტ.: იაკობ სეფიაშვილი (მასალების კრებული), თბ., 1970.

სეფიეთი, სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 50 *მ*, აბაშიდან 12 *კმ*. აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს აგროუბანი. დაწყ. და საშ. სკოლა, 2 ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე, მდებარეობს შუა საუკ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — სეფიეთის სამნავიანი ბაზილიკა ერთი შეერილი ნახევარწრიული აფსიდით. ნაშენია ქვითა და აგურით, გამოყენებულია თლილი და ნატეხი ქვა. არსებობს მოსაზრება, რომ აგებულია ადრინდ. შუა საუკუნეებში, მაგრამ მრავალგზის გადაკეთების შედეგად დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე. დას-ით მიშენებული აქვს უფრო დაბალი სათავსი — ეგვტერი ან საქალებო. ეკლესიაც და მიშენებიც მოხატულია გვიანდ. შუა საუკუნეებში. მხატვრობამ ფრაგმენტების სახით მოაღწია. გარდა რელიგ. სიუჟეტებისა, გვხვდება ისტ. პირთა, ადგილ. ფეოდალთა (აბრამ ჭილაძის, მოხატეს მოთავის — ჭყონდიდელი ზოსიმე კოპლატაძის და სხვ.) პორტრეტები. მათი სახელები წარწერებშია მოხსენიებული. აქ ნაპოვნი ჯვრებითა და მზის გამოსახულებით შემკული სვეტისთავი (დაცულია გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) ამ ტერიტორიაზე არსებულ ძვ. ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს.

სეფიეთის ბანძი, რომაული ვერცხლის მონეტების განძი, რ-იც აღმოჩნდა 1931 სოფ. სეფიეთში (აბაშის რ-ნი). შემორჩე-

ნილია 377 მონეტა . განძის შემადგენლობაში იყო ტრაიანეს (98—117), ადრიანეს (117—138), ანტონინუს პიუსის (138—161), მარკუს ავრელიუსის (161—180), კომოდუსის (180—192), კრისპინას (180), პერინაქსის (193), ნიგერიუსის (193—197), კლოდიუს ალბინუსის (193—197), სეპტიმიუს სევერუსის (193—211), იულია დომნას (193—217), გეტას (211—212), კარაკალას (211—217), ჰელიაგაბალუსის (218—222), ალექსანდერ სევერუსის (222—235) მონეტები. განძის 365 ეგზემპლარი დენარია, აქედან 118 ც. მოჭრილია რომში, 158 ც. — ემესაში (სირია), 11 ც. დრაქმაა და კესარეის ზარაფხანას მიეკუთვნება. 1 — კესარეული დრაქმის მინაბაძია. განძის გვიანდ. მონეტა მოჭრილია 222 ალექსანდერ სევერუსის სახელით.

ლიტ.: დუნდუა გ., საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), თბ., 1979; მაკალათია ს., სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1944, ტ. 12-B.

გ. დუნდუა.

სეფისკვერი, *ზიარებისათვის* განკუთვნილი ლიტურგიული პური. საბას მიხედვით, „დიდებულთ კვერი". ზიარებისას ს-ის ჭამა და ღვინის შესმა განასახიერებდა ქრისტეს ხორცთან და სისხლთან მორწმუნის სიმბოლურ შერწყმას. დიოფიზიტების ს-ს, მონოფიზიტების ს-გან განსხვავებით, საფუვრიანი ცომისაგან ამზადებდნენ. ს-ის პირზე აწერდნენ: „იესო ქრისტე ძლევაჲ" ან „იესო ქრისტე ღმრთისა". XI ს-იდან საქართველოში სირიულ-პალესტინური (წმ. იაკობის) ლიტურგია ბიზანტ. (იოანე ოქროპირის) ლიტურგიით შეიცვალა. ამ უკანასკნელის საწესო ქმედებისას ს-ის გულიდან იღებდნენ კვადრ. ნაჭერს — საუფლოს ანუ ტარიგს, რ-იც სიმბოლურად ქრისტეს სხეულს განასახიერებდა და დებდნენ შუა ფეშხუმში. ს-იდან ჭრიდნენ აგრეთვე ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ნაჭერს, რ-იც სიმბოლურად ნიშნავდა ღვთისმშობლის ღვაწლს ქრისტეს განხორციელებაში, და ათავსებდნენ საუფლოს მარჯვნივ. მის მარცხნივ დებდნენ 9 სამკუთხედ ნაწილს, რ-ებიც ანგელოზთა 9 დასს განასახიერებდა, ქვემოთ კი — კვადრ. ფორმის ნაწილაკებს, რ-ებიც მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენიებლად იყო განკუთვნილი.

ლიტ.: ჯობაძე ვ., სეფისკვერის ქარ. თული ტვიფარი ანტიოქიიდან, კრ.: მრავალთავი, [ტ.] 7, თბ., 1980. *მ. მაკალათია.*

სეფსისი (ბერძნ. sēpsis — დაჩირქება), ადამიანისა და ცხოველების მძიმე ინფექციური დაავადება. ს. ნებისმიერი ინფექციის ისეთი ფორმაა, რ-ის დროსაც ორგანიზმის მძიმე მდგომარეობის ან მიკრობების მაღალი ვირულენტობის, აგრეთვე ორგანიზმში მათი დიდი რაოდენობით ან არაბუნებრივი გზით შეჭრის შედეგად ორგანიზმის დაცვითი უნარი იმდენად დაქვეითებულია, რომ ანთებითი კერები, სადაც ჩვეულებრივ მიკრობების დათრგუნვა ხდება, გადაიქცევა მათი გამრავლებისა და უწყვეტი განმეორებითი გენერალიზაციის წყაროდ. ს-ის გამომწვევი შეიძლება იყოს სტრეპტოკოკი, სტაფილოკოკი (უფრო ხშირად) და სხვ. ამჟამად გავრცელებულია ე. წ. გრამუარყოფითი (ნაწლავის ჩხირი, კლოსტრიდია) ინფექცია. მიკრობის შეჭრის ადგილის მიხედვით განარჩევენ კანისმიერ, ოპერაციის-შემდგომ, მშობიარობისა და აბორტის-შემდგომ, უროლოგიურ (ინფექცია იჭრება საშარდე გზებიდან), ორალურ (ინფექცია იჭრება პირის ღრუდან) და კრიპტოგენულ (შეჭრის გზა უცნობია) ს-ს; სამედ. ჩარევის საჭიროების მიხედვით — არაქირურგ., ქირურგ., გინეკოლოგიურ, უროლოგიურ და პედიატრიულ ს-ს; კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით — ელვისებურს (1—7 დღე), მწვავეს (3 თვემდე) და ქრონიკულს; კერების მიხედვით — სეპტიცემიას (ჩირქოვანი მეტასტაზების გარეშე), სეპტიკოპიემიას (ჩირქოვანი მეტასტაზებით) და სეფსისურ (ბაქტერიულ) ენდოკარდიტს (ინფექციის კერა ენდოკარდიუმშია), რ-საც უმძიმესი მიმდინარეობა აქვს. ს-ს ახასიათებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთო სიმპტომები: მაღალი ტემპ-რა (39—40°C), თავის ტკივილი (სტაფილოკოკური ს. თავის ტკივილის გარეშე მიმდინარეობს), მძიმე შემთხვევებში ცნობიერების დაკარგვა, მაჯისცემის გახშირება, არტერიული სისხლის წნევის დაქვეითება, შეშუპებები, ნაწოლები და სხვ. ყოველგვარი ცხელების დროს, რ-იც იწყება ტრავმის (ოპერაცია, მშობიარობა და სხვ.) მიღების ან ჩირქგროვის გაჩენის შემდეგ, ეჭვი უნდა მივიტანოთ ს-ზე. ს-ის ნათელი სურათი ვითარდება 3—5 დღეში, ზოგჯერ უფრო გვიანაც. ეფექტური მკურნალობა შესაძლებელია პირველ დღე-ღამეში. ახალშობილთა ს-თვის დამახასიათებელია პირღებინება, ფაღარათი, ძუძუს წოვის მიტოვება, წონაში დაკლება, ორგანიზმის გაუწყლოება, მონაცრისფრო კანი და სხვ.

მკურნალობა: ანტიბიოტიკების დიდი დოზები, სულფანილამიდები; ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის ასამაღლებელი ღონისძიებანი (გაძლიერებული, ვიტამინიზებული, მაღალკალორიული საკვები, სისხლისა და ცილოვანი პრეპარატების გადასხმა, სპეც. შრატები, ავტოვაქცინები, გამა-გლობულინი); ადგილობრივად — დანეკრობებული ქსოვილების დროული მოცილება, ჩირქგროვების გაკვეთა, ჭრილობის დამუშავება ანტიბიოტიკებითა და ანტისეპტიკური პრეპარატებით და სხვ.

1979 საქართველოში შეიქმნა ს-ის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრი. ცენტრის საქმიანობაში შედის: ინფექციონისტების, ქირურგების, მეან-გინეკოლოგების, პედიატრებისა და სხვ. სპეციალისტების ორგანიზებული გაერთიანება; მოსახლეობისათვის მაღალკვალიფიციური კონსულტაციის გაწევა; დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ერთობლივი ტაქტიკის შემუშავება; ავადმყოფების დისპანსერული მომსახურება (ს-ის გადატანის შემდეგ 1 წელი, სეფსისური ენდოკარდიტის შემდეგ — მთელი სიცოცხლის მანძილზე) და სხვ. ს-ის საწინააღმდეგო ცენტრის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად შემცირდა ს-ით გამოწვეული ლეტალობა. თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში შეიქმნა ს-ის დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებელი თემატური ციკლები სსრკ-ის ყველა რესპ. ექიმებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

ვ. ბოჭორიშვილი.

სექსტა (ლათ. sexta — მეექვსე) მუსიკაში, ერთ-ერთი ინტერვალი, აგრეთვე ერთ-ერთი საფეხურთაგანი.

სექსტაკორდი (მუს.), *სამხმოვანების* ერთ-ერთი შებრუნება.

სექსტანტი (ლათ. sextans, ნათ. ბრ. sextantis — მეექვსე) (საზღვაოსნო საქმეში — სექსტანი), კუთხესაზომი სარკულ-ამრეკლი ინსტრუმენტი, რ-ითაც დაკვირვების ადგილის კოორდინატების განსაზღვრის მიზნით ზომავენ ციური სხეულების სიმაღლეს ჰორიზონტის მიმართ ან ნაპირზე მდებარე საგნებს შორის ხილულ კუთხეს. ს-ს იყენებენ გემსა და თვითმფრინავზე; ემყარება მზედველობის ველში ორი საგნის (მნათობების ან მნათობისა და ჰორიზონტის) შეთავსების შესაძლებლობას. ს. პირველად 1730—31 ააგო. ჯ. ჰედლიმ (ინგლისი) და მისგან დამოუკიდებლად ტ. გოდფრიმ (აშშ), თუმცა იდეა გამოთქვა ი. ნიუტონმა (1699; გამოქვეყნდა 1742), (იხ. ნახ.).



ლიტ.: Скородумов П. П., Мореходная астрономия, Л., 1963 (Курс кораблевождения, т. 2).

სექსტანტი (ლათ. Sextans), ცის ეკვატორთან მდებარე *თანავარსკვლავედი;* არ შეიცავს 4 ვიზუალურ *ვარსკვლავიერ სიდიდეზე* უფრო ბრწყინვალე ვარსკვლავებს. დაკვირვებისათვის ყველაზე უკეთესი პირობებია თებ.-მარტში. ჩანს სსრკ მთელი ტერიტორიიდან.

სექსტეტი (გერმ. Sextett <ლათ. sextus — მეექვსე), ექვსი შემსრულებლისაგან შემდგარი მუსიკალური ანსამბლი. აგრეთვე ნაწარმოები ამ ანსამბლისათვის.


სექსტილიონი (ფრანგ. sextillion< ლათ. sextus — მეექვსე), რიცხვი, რ-იც გამოისახება ერთიანითა და 21 ნულით, ე. ი. 10^{21}. ზოგჯერ ს-ს უწოდებენ აგრეთვე რიცხვს 10^{36}.

სექსტინა, სესტინა (გვიანდ. ლათ. sextina, იტალ. sestina < ლათ. sex — ექვსი), სალექსო ფორმა, რ-იც 6 სტროფისაგან შედგება; ყოველი სტროფი 6-6 ტაეპს შეიცავს; პირველი სტროფი ჯვარედინად ირითმება, მომდევნო სტროფებში კი რითმული კონფიგურაცია გარკვეული კანონის შესაბამისად მონაცვლეობს: მორიგი სტროფი იმეორებს წინამავლის ტაეპთა უკანასკნელ სარითმო სიტყვებს შემდეგი თანამიმდევრობით: 6-1-5-2-4-3. ეს იმას ნიშნავს, რომ სარითმო სიტყვებს რიგრიგობით იღებენ წინა სტროფის ბოლო და საწყისი ტაეპებიდან. მესამე სტროფში მეორიდან იმავე რიგით გადადის სარითმო სიტყვები: 3-6-4-1-2-5. მსგავსი ვითარებაა დანარჩენ ექვსტაეპედებშიც. სახელდობრ, მე-4 სტროფი ასეთ სურათს გვაძლევს: 5-3-2-6-1-4, მე-5 სტროფი: 4-5-1-3-6-2, მე-6 სტროფი: 2-4-6-5-3-1. ე. ი. ყოველი ექვსტაეპედის პირველი ტაეპი იმ სიტყვით ბოლოვდება, რ-ითაც წინამავალი სტროფის უკანასკნელი რიტმული ერთეული თავდება. ბოლო სტროფი კი იმ სიტყვით იწყება, რ-ითაც პირველი სტროფის საწყისი ტაეპი მთავრდება. ს-ის ნიმუშია ალ. აბაშელის „სულის შემოდგომა", კ. ნადირაძის „ალსარება" და სხვ.


რ. ბერიძე.

სექსტოლი (<ლათ. sextus — მეექვსე) მუსიკაში, რიტმული ფიგურა. იხ. *რიტმული დაყოფა.*

სექსტუს ემპირიკუსი (Sextus Empiricus) (II ს. ბოლო,—III ს. დამდეგი), ანტიკური ხანის ფილოსოფოსი, ანტიკური *სკეპტიციზმის* წარმომადგენელი,



სექსტანტი. ნახ. 2. სექსტანტის მოწყობილობის სქემა: 1 — ჩარჩო; 2 — დიდი სარკის შუქფილტრები; 3 — დიდი სარკე; 4 — სამზერი მილი; 5 — თამასა; 6 — სახელური; 7 — ალიდადა ასათვლელ-საჩერებელი მოწყობილობით; 8 — გამანათებელი; 9 — პატარა სარკის შუქფილტრები; 10 — პატარა სარკე.



სექსტანტი. ნახ. 1. სექსტანტის მუშაობის პრინციპი: M_1 დასამზერ საგანსა (მნათობსა) და პორიზონტის რიხმელიმე M_2 წერტილს შორის კუთხის გაზომვა ემყარება M_1 და M_2 წერტილთა გამოსახულებების ერთდროულ დანახვას T ოკულარში. M_1 საგნიდან წამოსული სინათლის სხივები თანამიმდევრულად აირეკლებიან დიდი A და პატარა B სარკეებიდან და ისე ხვდებიან ოკულარში, M_2-იდან წამოსული სხივები კი — უშუალოდ პატარა სარკის გამჭვირვალე ნაწილის გავლით. ორივე საგანი ოკულარში ერთდროულად მაშინ გამოჩნდება, თუ სარკეთა შორის α კუთხე (რომელიც სკალაზე აითვლება) ორჯერ ნაკლები იქნება გასაზომ φ კუთხეზე. მართლაც, $\varphi = \beta - \gamma = 2\left(\frac{\beta}{2} - \frac{\gamma}{2}\right) = 2\alpha$.

ამრიგად, ერთ-ერთი სარკის ბრუნვით ცვლილებ α კუთხეს და მისი სათანადო შერჩევით აღწევენ გამოსახულებათა ერთდროულ გამოჩენას, რის შემდეგ ამ შერჩეული α კუთხის გაორკეცებით მიიღება საძიებელი φ კუთხე.

ბუნების მკვლევარი, ექიმი, ასტრონომი. ს. ე-მა თხზულებაში „პირონის დებულებანი" ფილოსოფოსს მიზნად დაუსახა სულის სიმშვიდე, ყოველივეს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება, აულელვებლობა. ფილოს. მიმართულებებს ყოფს დოგმატიზმად და სკეპტიციზმად. სკეპტიციზმი კატეგორიულ მსჯელობათაგან თავშეკავებაა, სკეპტიკოსის დასკვნები საალბათოა. ს. ე-მა პირველმა წამოაყენა ალბათობის თეორიისა და ლოგიკის საკითხები. თხზულებაში „მათემატიკოსების წინააღმდეგ" (ცნებაში „მათემატიკოსი" იგი გულისხმობს საერთოდ სწავლულს, მეცნიერს) გადმოცემულია რიტორიკის, ასტრონომიის, მათ., მუსიკის თეორიის, ლოგიკისა და ეთიკურ მოძღვრებათა კრიტიკა. ს. ე-მა მკაცრად გააკრიტიკა რელიგია და უარყო ღმერთის ცნება. სხვა სკეპტიკოსების მსგავსად ს. ე. ცხოვრებაში მოითხოვდა პოლიტ. ინდიფერენტიზმს.

ს. ე-ის თხზულებებმა უმდიდრესი ფილოს.-ისტ. ცნობები შემოგვინახა.

თხზ.: Соч. в двух томах, М., 1975—76.

მ. ჭელიძე.

სექტანტობა რელიგიური (ლათ. secta — სკოლა, მოძღვრება < sequor — მივსდევ), ბუდიზმში, ისლამში, იუდაიზმში, ქრისტიანობასა და სხვ. რელიგიებში გაბატონებული მიმართულებიდან გამოყოფილი და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი სხვადასხვა რელიგ. ჯგუფების, თემებისა და გაერთიანებების საერთო სახელწოდება. ს. თავდაპირველად დემოკრ. მოძრაობის ხასიათს ატარებდა, ხოლო შემდგომ ბურჟ. ეკლესიის თავისებური სახე მიიღო (მაგ., პროტესტანტული ეკლესიები დას. ევროპაში). სექტებს ჩვეულებრივ არ გააჩნიათ სას. ძალაუფლების აპარატი, საერთო სავალდებულო დოგმატური სისტემა, მყარი ადათ-წესი. ახ. წ. პირველი საუკუნეების რომის იმპერიაში გავრცელებულ მესიანურ სექტებში ჩამოყალიბდა ქრისტიანობა — მოსახლეობის უუფლებო ფენებისა და მონების რელიგ.-საზ. მოძრაობა, ხოლო მოგვიანებით ქრისტიანობა უკვე სახელმწ. საეკლ.-ორგანიზებულ რელიგიად გვევლინება. შუა საუკუნეებში ქრისტ. ეკლესიას გამოეყო მის მიმართ მტრულად განწყობილი სექტები (იხ. *რეფორმაცია*). სხვა რელიგიებშიც სექტები წარმოიქმნა აგრეთვე როგორც ოპოზიციური მიმართულებები, რ-ებიც გამოხატავდნენ ხალხთა მასების სტიქიურ სოც. პროტესტს კლასობრივი უთანასწორობისა და უკხოელთა ბატონობის წინააღმდეგ.

რუსეთში ს-ს უძლოდა ანტიფეოდ. ერეტიკული მოძრაობა XIV—XVI სს-ში. XVII ს. მიწურულს ჩნდება ქრისტეს მოწამეთა სექტა (იხ. *ხლისტები*). ამ სექტას ახასიათებდა მკაცრი ასკეტიზმი და მისტიკურ-ექსტაზირებული კულტი. ქრისტეს მოწამეთა სექტის უკიდურეს ფრთად XVIII ს. ბოლოს წარმოქმნილი სკოპეცების (საჭურისები) სექტა გვევლინება. XVIII ს. 60-იან წლებში გაჩნდა სექტები: დუხობორები და მალაკნები. XIX ს. 60-იანი წწ. ბოლოს რუსეთში შეიჭრა ბაპტიზმი (იხ. *ბაპტისტები*), ხოლო XIX ს. 80-იან წლებში ადვენტიზმი (იხ. *ადვენტისტები*). 1917 ოქტ. რევოლუციის წინ რუსეთში 1 მლნ. სექტანტი იყო. სექტების ხელმძღვანელები მტრულად შეხვდნენ ოქტ. რევოლუციას. ზოგიერთი სექტა წინააღმდეგობას უწევდა კოლექტივიზაციასა და სოციალ. საბჭოთა ქვეყნის მთელ რიგ ღონისძიებებს. სსრკ-ში სექტანტების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. მიუხედავად იმისა რომ თანამედროვე ს-ში მიმდინარეობს მოდერნიზაციის პროცესი (უარს ამბობენ ურჯულო ადათ-წესებზე, იცავენ საბჭ. კანონებს და სხვ.), იგი ძირითადად მაინც ანტისაზ. და რეაქციული ხასიათის, იდეურ-პოლიტიკურ შეხედულებათა გამო. ს. მუშათა მოძრაობაში XIX ს. I ნახევარში წარმოიშვა. მეცნიერულმა კომუნიზმმა პრინციპულად უარყო ყოველგვარი ს. (იხ. *„კომუნისტური პარტიის მანიფესტი"*). I ინტერნაციონალის გენ. საბჭო განუწყვეტლივ იბრძოდა სექტების წინააღმდეგ. ამის შედეგად მარქსიზმი დამკვიდრდა სოციალ. მუშათა მოძრაობაში და II ინტერნაციონალი (დაარსდა 1889) ძირითადად მარქსიზმის პოზიციებზე დადგა. XIX ს. მიწურულში თავი იჩინა ახ. ს-ის ნიშნებმა მარქსისტულ სოციალ. მოძრაობაში. სექტანტური მუშაობა გააჩაღეს დიდ ბრიტ-ში ს.-დ. ფედერაციამ და აშშ-ში სოციალ. მუშათა პარტიამ. ფ. ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდა მათ და მოუწოდებდა შეერთებოდნენ მუშათა მოძრაობას. ვ. ი. ლენინი, რ-იც იბრძოდა ს-ის წინააღმდეგ რუს. ს.-დ. მოძრაობაში, ფ. ენგელსის ამ მითითებებს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკურ პარტიაში სექტანტურ მიმდინარეობებს წარმოადგენდნენ „მემარცხენე კომუნისტები" და ტროცკისტები. ახალგაზრდა კომპარტიებში ს-ის ტენდენციას ვ. ი. ლენინმა უწოდა «„მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში». XX ს. 30-იანი წწ. შუა ხანისათვის ზოგიერთი კაპიტალ. ქვეყნის კომპარტიაში ს. „ფესვგადგმულ ბიწიერებად" იქცა (გ. დიმიტროვი). კომინტერნის VII კონგრესის (1935) მოწოდებით შექმნილ სახ. ფრონტის ხელმძღვანელობასა და წინააღმდეგობის ანტიფაშისტურ მოძრაობაში კომუნისტების მონაწილეობამ ხელი შეუწყო სექტანტური ტენდენციების აღმოფხვრას კომპარტიებში. 60-იან წწ. დასაწყისში ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა დაუპირისპირდა მარქსისტულ-ლენინურ კომპარტიებს. სექტანტური ტენდენციები გამოვლინდა აგრეთვე სხვადასხვა ნეოტროცკისტული, ანარქისტული, ანარქო-სინდიკალისტური და სხვა ულტრამემარცხენე მოძრაობათა სახით (განსაკუთრებით ლათ. ამერიკაში). საერთაშ. კომუნისტური მოძრაობა გადაჭრით ილაშქრებს ყველა სახის ს-ის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის თეორიასა და პრაქტიკაში.

ი. კობახიძე.

სექტემბერი (ლათ. September < septem — შვიდი), კალენდარული წლის მეცხრე (იულიუს კეისრის მიერ *კალენდრის* რეფორმამდე მეშვიდე) თვე. შეიცავს 30 დღ-ღ. ქართ. წარმართული კალენდრით — ახალ წლისა, ხალხ. სახელწოდება — ენკენისთვე.

სექტემბრის აჯანყება ბულგარეთში 1923, სახალხო შეიარაღებული აჯანყება 23—29 სექტ., ხელმძღვანელობდა ბულგ. კომპარტია (ბკპ). გამოიწვია 1923 წ. 9 ივნ. ბულგარეთში სამხ. ფაშისტური დიქტატურის დამყარებამ. კომპარტიამ წამოაყენა ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის ლოზუნგი; ჩამოყალიბდა მთავარი სამხ.-რევ. კომიტეტი გ. *დიმიტროვის*, ვ. კოლაროვისა და გ. გენოვის ხელმძღვანელობით. აჯანყებისათვის მზადება ტერორის პირობებში ხდებოდა. 12 სექტ. *ცანკოვის* მთავრობამ დააპატიმრა 2,5 ათ-მდე კომუნისტი, ს. ა. ბ. დაიწყო ბკპ ცკ-ის მოწოდებით 22 სექტ. ღამით. განსაკუთრებით მძლავრი აჯანყება მოხდა ჩრდ.-დას. ბულგარეთში. აჯანყებულთა რაზმები გააფთრებით ებრძოდნენ მთავრობის ჯარებს. აჯანყება 29 სექტ-მდე გაგრძელდა. ცანკოვის მთავრობამ ჩაახშო აჯანყება და სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს; 20 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.


სექტემბრის რევოლუცია 1870, 4 სექტემბრის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რ-მაც დაამხო საფრანგეთში II იმპერია. განაპირობა ბონაპარტისტული რეჟიმის ხანგრძლივმა კრიზის-

მა და საფრანგ. დამარცხებამ პრუსიასთან ომში (1870—71). როცა პარიზამდე მოაღწიეს ხმებმა საფრ. არმიის კაპიტულაციისა და სედანთან (1870 წ. 2 სექტ.) ნაპოლეონ III-ის ტყვედ ჩაბარების შესახებ, 4 სექტ. პარიზის მუშები აჯანყდნენ (ბლანკისტების მეთაურობით), დაიკავეს ბურბონთა სასახლე და აიძულეს საკანონმდებლო კორპუსი ხელისუფლება ჩამოერთმია ნაპოლეონ III-ისა და ბონაპარტების დინასტიისათვის. იმავე დღეს რატუშაში ჟ. ფავრმა რესპუბლიკა გამოაცხადა. 4 სექტ. რევოლუცია იყო საფრ. ისტორიაში IV ბურჟ. რევოლუცია, რ-ითაც დასაბამი მიეცა III რესპუბლიკას. ს. რ-ში გადამწყვეტი როლი პარიზის მუშებმა შეასრულეს.

სექტემბრის სახალხო შეიარაღებული აჯანყება ბულგარეთში 1944, 9 სექტ. აჯანყება, რ-მაც დაამხო მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურა და დასაბამი მისცა სოციალ. რევოლუციას. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ბულგ. მუშათა პარტია (ბმპ, იმ დროს ეწოდებოდა კომუნისტური პარტია). ბმპ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამამულო ფრონტი (1942) და აჯანყებულთა სახ.-განმათ. არმია (1943). აჯანყებას ხელი შეუწყო საბჭ. არმიის მიერ ჰიტლერელთა ძალების განადგურებამ რუმინეთში. საბჭ. არმიის სწრაფმა წინსვლამ ბულგ. საზღვრებისაკენ, წინააღმდეგობათა გამწვავებამ ქვეყნის შიგნით, პარტიზანული მოძრაობის გაძლიერებამ, მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმის სიძულვილმა. აჯანყების უშუალო სამზადისი დაიწყო 1944 აგვ. ბოლოს. ბმპ ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომაზე (5 სექტ.) აჯანყების ვადად განსაზღვრეს 9 სექტ., შემუშავდა აჯანყების გეგმა. 7 სექტ. სოფიაში, პერნიკში, პლოვდივსა და სხვ. ქ-ებში მოხდა მასობრივი დემონსტრაციები. 8 სექტ. საბჭ. არმია შევიდა ბულგ. ტერიტორიაზე, ხოლო 8, 9 სექტ., ღამით, რევოლუციურმა ძალებმა (აჯანყებული სამხ. ნაწილები, პარტიზ. რაზმები, მუშათა მებრძოლი ჯგუფები) დაამხეს ფაშისტური მთავრობა.

სეეკტი (Seeckt) ჰანს ფონ (22. IV. 1865, შლეზვიგი, — 27. XII. 1936, ბერლინი), გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენ.-პ. არმიაში 1885-იდან. დაამთავრა სამხ. აკადემია (1899). I მსოფლიო ომში (1914—18) იყო რიგი არმიისა და ჯარების ჯგუფის შტაბების უფროსი, 1917 დეკ-იდან ომის დასასრულამდე თურქ. არმიის გენშტაბის უფროსი; 1920—26 სახმელეთო ჯარების სამმართველოს უფროსი (რაიხსვერის მთავარსარდალი). შექმნა პროფესიონალური რაიხსვერი. საიდუმლოდ ამზადებდა გერმანიისათვის აკრძალული იარაღის წარმოებას. 1923 შემოდგომაზე ს-მა ხელთ იგდო მთელი აღმასრ. ხელისუფლება და ჩაახშო რევ. მოძრაობა. ნაცისტებისთვის ხელისუფლების გადაცემის მომზრე იყო.

სექტორი მათემატიკაში, 1. ს. სიბრტყეზე, ბრტყელი ფიგურა, შემოსაზღვრული ფიგურის შიგა წერტილიდან გამომავალი ორი ნახევარწრფითა და კონტურის რკალით. წრის ს.— წრის ნაწილი, რ-იც შემოსაზღვრულია 2 რადიუსითა და მათ შორის მდებარე რკალით (იხ. ნახ.); 2. ს. სივრცეში — სხეულის ნაწილი, შემოსაზღვრული იმ კონუსური ზედაპირით, რ-ის წვერო სხეულის შიგნითაა, და ამ ზედაპირის მიერ სხეულის ზედაპირზე ამოჭრილი ნაწილით. სფეროს ს-ის შესახებ იხ. *სფერული სექტორი.*



სექტორი. სექტორის ფართობი $S = \frac{\pi r^2 \alpha^\circ}{360^\circ} = \frac{r^2\alpha}{2} = \frac{lr}{2}$, სადაც α^0 და α არის რკალის შესაბამისი ცენტრალური კუთხე გრადუსებსა და რადიანებში, r—წრის რადიუსი, l—რკალის სიგრძე.

სექცია (<ლათ. sectio —გაკვეთა, გაყოფა), 1. რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების განყოფილება; 2. რაიმე მთლიანის (მაგ., შენობის, მანქანის, დანადგარების, რადიატორის) ნაწილი, რ-იც თავის მხრივ ნაწილებისაგან, დეტალებისაგან შედგება; 3. ყრილობის, თათბირისა და მისთ. ქვეგანყოფილება სპეც. საკითხების განსახილველად; 4. გაკაძის გაკვეთა; 5. სავაჭრო საწარმოს განყ-ბა, სადაც განსაზღვრული სახის საქონელი იყიდება; 6. საფრ. დიდი რევ. (1789—94) დროს პარიზსა და სხვა დიდი ქალაქების რაიონი.

სექცია (Sectio), ტაქსონომიური კატეგორია ბოტანიკურ ნომენკლატურაში. ამა თუ იმ გვარის ს-ის სახეობები გვარის ტიპური ს-ის სახეობებისაგან განსხვავდებიან ძირითადი მორფოლ. ნიშნებით (ნაყოფის ფორმა, აგებულება, ყვავილის ნაწილების ფორმა, აგებულება, შეფერვა და სხვ.), ფიზიოლ., ეკოტოპოლოგიური თავისებურებებით, შესაძლებელია აგრეთვე წარმოშობის ცენტრითა და არეალით. უჭირავს შუალედი ადგილი ქვეგვარსა და სერიას შორის.

სექცია გეოლოგიური, ზოგადი *სტრატიგრაფიული სკალის* ერთეული. ს-ის შესაბამისი ქანები წარმოიქმნება გეოლ. *ეპოქის* განმავლობაში. ს. გამოიყოფა მისთვის დამახასიათებელი განამარხებული ფაუნისა და ფლორის საფუძველზე. იყოფა გეოლ. *სართულებად.* რამდენიმე ს. ქმნის გეოლ. *სისტემას.*

სეშე (Séchehaye) ალბერ (4. VII. 1870, ჟენევა, — 2. VII. 1946, იქვე), შვეიცარიელი ენათმეცნიერი. ჟენევის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენელი, ფ. დე სოსიურის მიმდევარი და მისი „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის" ერთ-ერთი გამომცემელი. იყო ჟენევის უნ-ტის პროფესორი (1929-იდან), ჟენევის ლინგვისტური სზ-ბის პრეზიდენტი (1941—46). ს. იკვლევდა ენისა და აზროვნების, წინადადების ლოგიკური სტრუქტურის, ენობრივი ნიშნისა და მისთ. საკითხებს. ეყრდნობოდა რა სოსიურის იდეებს, მოითხოვდა „ენის" ლინგვისტიკასთან ერთად „მეტყველების" ლინგვისტიკის შექმნასაც. *ი. ქობალავა.*

სეშნზი (Sessions) როჯერ (დ. 28. XII. 1896, ბრუკლინი, ნიუ-იორკი), ამერიკელი კომპოზიტორი. ჰ. პარკერისა და ე. ბლოხის მოწაფე. 1925—33 მუშაობდა (ხანგამოშვებით) ფლორენციაში, რომსა და ბერლინში. ა. კოპლენდთან ერთად ჩამოაყალიბა „კოპლენდ-სეშნზ კონცერტები" (1928—31). 1934—42 ხელმძღვანელობდა თანამედროვე მუსიკის საერთაშ. სზ-ბას (1953-იდან ვიცე-პრეზიდენტი). 1933-იდან ასწავლიდა კომპოზიციას აშშ-ის სხვადასხვა უნ-ტსა და კონსერვატორიაში. 1958 იყო სსრკ-ში. ნაწარმოებები: ოპერები — „ლუკულუსის განკითხვა" (ბ. ბრეხტის მიხედვით, დაიდგა 1947) და „მონტესუმა" (1947, დაიდგა 1964, დას. ბერლინი); „თეოკრიტეს იდილია" ხმისა და ორკესტრისათვის (1954) და სხვ. ავტორია ჰარმონიის სახელმძღვანელოებისა, აგრეთვე ნაშრომებისა ესთეტიკისა და მუსიკის თეორიის დარგში.

სეჩენოვი ივანე მიხეილის ძე [1 (13). VIII. 1829, სოფ. ტიოპლი-სტანი, ახლანდ. სოფ. სეჩენოვო, გორკის ოლქი, — 2 (15). XI. 1905, მოსკოვი], რუსი ბუნებისმეტყველი, რუს. ფიზიოლ. სკოლისა და ფსიქოლოგიაში საბუნებისმეტყველო-მეცნ. მიმართულების ფუძემდებელი. პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1904). 1856 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1856—59 მუშაობდა ი. მიულერის, უ. დიუბუა-რეიმონისა და ფ. ჰოპე-ზაილერის (ბერლინი), ო. ფუნკეს (ლაიფციგი), კ. ლუდვიგისა (ვენა) და ჰ. *ჰელმჰოლცის* (ჰაიდელბერგი) ლაბორატორიებში. 1860 — 70 ხელმძღვანელობდა პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკად. ფიზიოლ. კათედრას, 1871—76 — ნოვოროსიის უნ-ტის (ოდესა) ფიზიოლ. კათედრას. 1876—88 იყო პეტერბ. უნ-ტის, ხოლო 1891-იდან მოსკ. უნ-ტის ფიზიოლ. პროფესორი.

ს-მა აღმოაჩინა (1862) და აღწერა *ცენტრალური შეკავების* მოვლენა და საფუძველი ჩაუყარა მოძღვრებას შეკავების შესახებ. მან გვიჩვენა, რომ *შეკავების* პროცესი ნერვული მოქმედების ისეთივე მნიშვნელოვანი მხარეა, როგორც *აგზნების* პროცესი. რეფლექსური რეაქციების შეკავების თალამუსურ ცენტრს „სეჩენოვის ცენტრი", ხოლო ცენტრ. შეკავების ფენომენს — „სეჩენოვის შეკავება" უწოდეს. მასვე ეკუთვნის ცენტრ. ნერვულ სისტემაში *სუმაციის* მოვლენის აღმოჩენა (1868) და აღწერა. ს-მა შეისწავლა კუნთების, როგორც გრძნობის ორგანოების როლი, პერიოდული რიტმული ბიოელექტრული მოვლენები ცენტრ. ნერვულ სისტემაში (1881), აირცვლის ფიზიოლ., სისხლის სუნთქვითი ფუნქციები. მან მ. შატერნიკოვთან ერთად დაამუშავა სუნთქვის სხვადასხვა პირობებში ფილტვების ჰაერის შედგენილობის თეორია, აქვს ნაშრომები შრომის ფიზიოლოგიაში (ამ დარგის განვითარებას რუსეთში მან ჩაუყარა საფუძველი) და სხვ. 1866 გამოცემულ ნაშრომში „თავის ტვინის რეფლექსები" ს-მა დაადგინა, რომ როგორც რეფლექსების წარმოქმნა შეუძლებელია გარეგანი გაღიზიანების გარეშე, ასევე ფსიქ. მოქმედებას განაპირობებს გრძნობის ორგანოებზე მოქმედი გამღიზიანებლები. ამ ნაშრომის გამოსვლამ, რ-შიაც მოცემულია ფსიქ. მატერიალ. გაგება, დასაბამი მისცა ობიექტური ფსიქოლ. განვითარებას. 1871—72 ს-ის რედაქციით რუსეთში გამოვიდა ჩ. დარვინის „სახეობათა წარმოშობის" თარგმანი. ს. არა მარტო ხელს უწყობდა *დარვინიზმის* გავრცელებას, არამედ ეს მოძღვრება მან ფიზიოლ. და ფსიქოლ. პრობლემებს მიუსადაგა. ს-მა საფუძველი ჩაუყარა რუსეთში ევოლ. ფიზიოლ. განვითარებას. 90-იან წლებში მან გამოაქვეყნა ნაშრომების ციკლი, რ-ებიც მიეძღვნა ფსიქოფიზიოლ. და შემეცნების თეორიის საკითხებს, არსებითად გადაამუშავა თეორ.-შემეცნებითი ტრაქტატი „აზრის ელემენტები", გრძნობის ორგანოების ფიზიოლ. მიღწევებისა და სამოძრაო აპარატის ფუნქციების გამოკვლევების საფუძველზე მან მოგვცა *აგნოსტიციზმის* კრიტიკა და სხვ.


ა. სეჩენოვი.

ს-ის მოწაფეები იყვნენ ვ. პაშუტინი, ნ. *ვედენსკი*, ი. *თარხნიშვილი*, ა. *სამოილოვი*, მ. *შატერნიკოვი* და სხვ. 1955 ს-ის სახელი მიეკუთვნა მოსკ. I სამედ. ინ-ტს, ხოლო 1956 — სსრკ მეცნ. აკად. ევოლ. ფიზიოლ. და ბიოქიმ. ინ-ტს. დაწესებულია ს-ის სახ. პრემია (ქართვ. მეცნიერთაგან მიენიჭა ი. *ბერიტაშვილს*, 1963).

თხზ.: Избр. труды, М., 1935; თავის ტვინის რეფლექსები, თბ., 1949.

ლიტ.: Коштоянц Х. С., И. М. Сеченов, М., 1950 (ბიბლიოგრ.); Ярошевский М. Г., Иван Михайлович Сеченов, Л., 1968.

სეჩი ზაპოროჟიელი, უკრაინელ კაზაკთა სზ.-პოლიტ. და სამხედრო ორგანიზაცია XVI—XVIII სს-ში დნეპრის ჭორომების ქვემოთ. მის ბირთვს ძირითადად შეადგენდა უკრ. გლეხობა და ქალაქის ღარიბობა, რ-ებიც გამოექცნენ ფეოდალთა უსამართლობას. ს. ზ. შეუპოვრად იბრძოდა როგორც ოსმ., ისე ყირიმის სახანოს, აგრეთვე პოლ. ფეოდალთა წინააღმდეგ. კაზაკები აგებდნენ ხის სიმაგრეებს — „სეჩებს", სადაც თავს აფარებდნენ მტრის თავდასხმას. აქედან მომდინარეობს ამ თავისებური რესპუბლიკის სახელწოდებაც. XVI ს-იდან ს. ზ-ში დაიწყო კლასობრივ ფენებად დაყოფა. უკრ. რუსეთთან შეერთების (1654) შემდეგ ს. ზ-ს სამხ. და პოლიტ. უფლებები თანდათანობით დაეცა, 1709 კი შეედებთან კავშირის გამო რუს. ჯარმა დაანგრია, კაზაკთა ნაწილი *ყირიმის სახანოს* ტერიტორიაზე გადავიდა. 1734 რუს. მთავრობის ნებართვით კაზაკები დაბრუნდნენ და ე. წ. ახ. სეჩი შექმნეს. პუგაჩოვის

აჯანყების დამარცხების შემდეგ, რაკი კაზაკებში მღელვარება იყო, 1775 ივნისში მეფის ჯარმა დაანგრია სიმაგრეები და ზაპოროჟიეს ჯარი დაშლილად გამოაცხადა. ს. ზ-მ არსებობა შეწყვიტა. იხ. აგრეთვე *კაზაკობა*.



ე. სყხნიაშვილი.

სეცესიონი (გერმ. Sezession < ლათ. secessio — გასვლა, გამოყოფა, განცალკევება), მხატვართა საზოგადოებების სახელწოდება XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. გერმანიასა და ავსტრიაში. წარმოადგენდა ახ. მიმართულებას ხელოვნებაში. შეიქმნა ოფიციალურად აღიარებული *აკადემიზმის* საპირისპიროდ. ცნობილია „მიუნხენის სეცესიონი", „ბერლინის სეცესიონი" და „ვენის სეცესიონი". პირველი ს. დაარსა 1892 ფ. ფონ შტუკმა (1899-იდან ხელმძღვანელობდა ფ. ფონ უდე). აერთიანებდა გერმ. „მოდერნის" *იუგენდსტილის* წევრებს; 1893-იდან „მიუნხენის სეცესიონის" წევრი იყო პ. ბერენსი. მეორე ს-ში (შეიქმნა 1899) გაერთიანებული იყვნენ გერმ. იმპრესიონისტები (იხ. *იმპრესიონიზმი*). საზ-ბის I პრეზიდენტი — მ. ლიბერმანი. 1906 საზ-ბა ორად გაიყო. „ახალი ბერლინის სეცესიონი" (ხელმძღვ. ლ. კორინთი) და „თავისუფალი სეცესიონი" (ხელმძღვ. მ. ლიბერმანი). „ვენის სეცესიონმა" (შეიქმნა 1897), რ-იც აერთიანებდა ავსტრ. „მოდერნის" წარმომადგენლებს, შემდგომ მიიღო სახელწ. „სეცესიონსტილი". ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენელი ფერწერაში იყო გ. კლიმტი. „სეცესიონსტილის" დამახასიათებელი ნიშნები იყო: ფერწერაში — მოზაიკური მრავალფეროვნება (გ. კლიმტი), გრაფიკაში — ნახატის გეომ. სიცხადე, შერწყმული თავისუფალ დეკორაციულობასთან (გ. კლიმტი, კ. მოზერი, ი. ოლბრიხი); არქიტექტურაში — მოცულობათა სიმკვეთრე, დანაწევრებათა რიტმული მოწესრიგებულობა, კომპოზიციისა და კონსტრ. რაციონალური გადაწყვეტა (ო. ვაგნერი, ი. ოლბრიხი, ი. ჰოფმანი). ხშირად „სეცესიონსტილს" უწოდებდნენ „კვადრატის სტილს". „ვენის სეცესიონმა" დიდად შეუწყო ხელი „მოდერნის" სტილის გავრცელება-განმტკიცებას.




სვაზილენდის სამეფოს სახელმწიფო გერბი.

სვეშნიაშვილი გიორგი საბას ძე (დ. 25. IX. 1910, თელავი), ქართველი საბჭ. ინჟინერ-მექანიზატორი, საქ. სსრ დამს. მექანიზატორი (1960). სკკპ წევრი 1939-იდან. 1950 თელავის რ-ნში ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები სოიისა და სიმინდის შერეული ნათესების კომპლ. მექანიზაციის დანერგვის საკითხებზე. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის, 2 „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

სვეშნიაშვილი ემილ ალექსის ძე (დ. 3. VII. 1924, თელავი), ქართველი საბჭ. მეცნიერი სამშენებლო მექანიკის დარგში, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1983), ტექ. მეც. დოქტორი (1967), პროფესორი (1970). საქ სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). სკკპ წევრი 1944-იდან. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი (1981-იდან), ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის გამოყენებითი მექან. კათედრის გამგე (1972-იდან). თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტის დამთავრების (1946) შემდეგ მუშაობდა ამავე ინ-ტში, შემდეგ საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში, სხვადასხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1946—51; 1956—72), საქ. კპ ცკ-ის ინსტრუქტორად, მეცნ. და კულტ. განყ-ების გამგის მოადგილედ, ტრანსპ. და კავშირგაბმ. განყ-ების გამგედ (1951—54), საქ. კპ თბილ. საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად (1954—56), სპქართვ. კპ ცკ-ის მეცნ. და სასწ. დაწესებულებების განყ-ების გამგედ (1972—81). საქ. კპ ცკ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატი (1954—56). ს-ის სამეცნ. შრომების თემაა რხევათა თეორია, ნაგებობათა დინამიკა და სეისმომედეგობა, წინასწარ დაძაბული და მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრ. წინაღობა და ტექნოლოგია. სსრკ IV მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. სსრ IX, X და XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. კპ ცკ-ის წევრი. დაჯილდოებულია ოქტ. რევ., შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

თხზ.: Колебания упругих систем, Тб., 1966; О применении низкомодульных конструкционных материалов в несущих конструкциях высотных сооружений для сейсмических районов, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1976, ტ. 62, № 3.

სეჯუიკი (Sedgwick) ადამ (22. III. 1785, დენტი, იორკშირი, — 27. I. 1873, კემბრიჯი), ინგლისელი გეოლოგი, 1818—72 იყო კემბრიჯის უნ-ტის პროფესორი. ს-ის ძირითადი შრომები ეხება დიდი ბრიტ., ბელგ. და გერმ. პალეოზოური ნალექების გეოლოგიის საკითხებს. 1835 ს-მა გამოყო კამბრიული სისტემა; 1839 *რ. მერჩისონთან* ერთად—დევონური სისტემა. 1903 კემბრიჯში გაიხსნა ს-ის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუზეუმი.



სვაზილენდი (Swaziland), სვაზილენდის სამეფო (Kingdom of Swaziland), სახელმწიფო სამხრ. აფრიკაში. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 17,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 663⅝ ათ. კაცი (1982). დედაქალაქი — მბაბანე. ოფიც. ენები — ინგლ. და სვაზი. ეროვნ. დღესასწაულია 6 სექტ. — დამოუკიდებლობის დღე (1968). ფულის ერთეულია ლილანგენი. 1 ლილანგენი = 0,8 აშშ-ის დოლარს (1982). ადმინისტრაციულად ს. იყოფა 4 ოლქად. ს. კონსტ. მონარქიაა. მოქმედებს 1978 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფესა და პარლამენტს, რ-იც შედგება სენატისა და კრების პალატისაგან. არჩევნები პარლამენტში ორსაფეხურიანია. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რ-ის შემადგენლობას ნიშნავს მეფე.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი*, *სახელმწიფო დროშა*.

ქვეყნის ზედაპირი *ველდის* პლატოებია, რ-თაც აღმ-იდან აკრავს ლებომბოს მთები (სიმაღლე 770 *მ*-მდე). არის აზბესტის, რკინის მადნის, ქვანახშირის საბადოები. ჰავა სუბტროპიკულიდან ტროპიკულში გარდამავალია. საშ. თვიური ტემპ-რები 12-იდან 24°C-მდეა. ნალექები 500-იდან 1400 *მმ*-მდე წელიწადში. მდები ჭორომიანია. ქვეყნის დას. ნაწილში ტიპობრივი, ზოგან პარკული სავანაა, აღმ-ით ჭარბობს ქსეროფიტული ბუჩქნარი. ბინადრობენ აფრ. სავანისათვის დამახასიათებელი ცხოველები.

მოსახლ. 98%-ს შეადგენენ *ბანტუ* ენებზე მოლაპარაკე აფრ. ხალხები — სვაზი (80%) და ზულუ. ცხოვრობენ აგრეთვე ევროპელები და აფრიკანერები. მოსახლ. 40% ინარჩუნებს ადგილ. ტრად. რწმენებს, დანარჩენი — ქრისტიანია.

მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 36 კაცი *კმ*²-ზე (1982). ყველაზე მეტად დასახლებულია საშუალო ველდი. მნიშვნელოვანი ქ-ებია: მბაბანე (38,6 ათ. მც., 1982), ბულემბუ, მანზინი, სიტეკი.

XIX ს. დასაწყისში ს-ის ტერიტორიაზე დასახლდნენ სვაზის ტომები, რ-ებიც სამხრ-იდან გამოდევნეს სხვა ტომებმა. XIX ს. 20—30-იან წლებში სვაზის სისხლისმსმელი ბრძოლები ჰქონდა ზულუსა და სხვა მეზობელ ტომებთან. 1840 დასაწყისიდან ს. ევრ. კოლონიზატორების გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და აზიაში. ვერტიკალურად ზ. დ. 3300 *მ*-მდე ადის. ბინადრობს სსრკ-ში. საქართველოში ცხოვრობს მთებში, ზეგნებსა და ღია ადგილებში. ს-ები მუდმივ წყვილებს ქმნიან. ბუდეს მაღალ ხეზე იკეთებენ. დედალი ს. მარტში 1 კვერცხს დებს. ინკუბაცია 55 დღეს გრძელდება. კრუხობს ორივე „მშობელი" მორიგეობით. ს-ები მძორით იკვებებიან, დიდრონ ძვლებსაც ყლაპავენ და კარგად ინელებენ, იშვიათად ცოცხალ ცხოველებსაც (მღრღნელები, ხვლიკები, კუ, ბატკანი და მისთ.) ეტანებიან. გამაძღარ ს-ს ფრენა უჭირს. დაბალი რეპროდუქციის გამო მეტად მცირერიცხოვანია. შეტანილია სსრკ და საქართვ. „წითელ წიგნში".

რ. ჟორდანია.

სვაზი, ხალხი, სვაზილენდის ძირითადი მოსახლეობა. ცხოვრობენ აგრეთვე სვაზილენდთან მოსაზღვრე სამხრ. აფრ. რესპუბლიკაში. საერთო რაოდ. 1145 ათ. კაცი (1978, შეფასება). ენა — სვაზი, განკუთვნება ბანტუ ენათა ოჯახს. უმრავლესობა ტრად. რწმენებს — ბუნების ძალთა და წინაპართა კულტს აღიარებს, დანარჩენები ძირითადად ქრისტიანები (ბაპტისტები) არიან. ს. ხალხი ჩამოყალიბდა XIX ს. I ნახევარში. მათი ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა. მუშაობენ ბამბისა და ყავის პლანტაციებში. საშოვარზე დადიან სამხრ. აფრ. რესპუბლიკაში.

სვაზილენდი (Swaziland), სვაზილენდის სამეფო (Kingdom of Swaziland), სახელმწიფო სამხრ. აფრიკაში. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 17,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 663⅝ ათ. კაცი (1982). დედაქალაქი — მბაბანე. ოფიც. ენები — ინგლ. და სვაზი. ეროვნ. დღესასწაულია 6 სექტ. — დამოუკიდებლობის დღე (1968). ფულის ერთეულია ლილანგენი. 1 ლილანგენი = 0,8 აშშ-ის დოლარს (1982). ადმინისტრაციულად ს. იყოფა 4 ოლქად. ს. კონსტ. მონარქიაა. მოქმედებს 1978 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფესა და პარლამენტს, რ-იც შედგება სენატისა და კრების პალატისაგან. არჩევნები პარლამენტში ორსაფეხურიანია. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რ-ის შემადგენლობას ნიშნავს მეფე.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი*, *სახელმწიფო დროშა*.

ქვეყნის ზედაპირი *ველდის* პლატოებია, რ-თაც აღმ-იდან აკრავს ლებომბოს მთები (სიმაღლე 770 *მ*-მდე). არის აზბესტის, რკინის მადნის, ქვანახშირის საბადოები. ჰავა სუბტროპიკულიდან ტროპიკულში გარდამავალია. საშ. თვიური ტემპ-რები 12-იდან 24°C-მდეა. ნალექები 500-იდან 1400 *მმ*-მდე წელიწადში. მდები ჭორომიანია. ქვეყნის დას. ნაწილში ტიპობრივი, ზოგან პარკული სავანაა, აღმ-ით ჭარბობს ქსეროფიტული ბუჩქნარი. ბინადრობენ აფრ. სავანისათვის დამახასიათებელი ცხოველები.

მოსახლ. 98%-ს შეადგენენ *ბანტუ* ენებზე მოლაპარაკე აფრ. ხალხები — სვაზი (80%) და ზულუ. ცხოვრობენ აგრეთვე ევროპელები და აფრიკანერები. მოსახლ. 40% ინარჩუნებს ადგილ. ტრად. რწმენებს, დანარჩენი — ქრისტიანია.

მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 36 კაცი *კმ*²-ზე (1982). ყველაზე მეტად დასახლებულია საშუალო ველდი. მნიშვნელოვანი ქ-ებია: მბაბანე (38,6 ათ. მც., 1982), ბულემბუ, მანზინი, სიტეკი.

XIX ს. დასაწყისში ს-ის ტერიტორიაზე დასახლდნენ სვაზის ტომები, რ-ებიც სამხრ-იდან გამოდევნეს სხვა ტომებმა. XIX ს. 20—30-იან წლებში სვაზის სისხლისმსმელი ბრძოლები ჰქონდა ზულუსა და სხვა მეზობელ ტომებთან. 1840 დასაწყისიდან ს. ევრ. კოლონიზატორების

სვაკი (Aegipius monachus), ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. ტანად დიდია.

მტაცებლური მისწრაფებების ობიექტად იქცა. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ბურები, ხოლო *ინგლის-ესპანეთის და ბურების ომის* (1899—1902) შემდეგ დიდი ბრიტ. სამფლობელო გახდა, რ-მაც 1903 ს. თავის პროტექტორატად გამოაცხადა. ანტიკოლონ. მოძრაობის ახ. აღმავლობა დაიწყო 1950 დასასრულს—1960 დასაწყისში. ინგლ. კოლონიზატორები იძულებულნი შეიქმნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 1963 ძალაში შევიდა კონსტიტუცია; ს-ის თვითმმართველობის უფლებები შეიზღუდა. 1967 ჩატარდა საკანონმდებლო კრების პირველი საყოველთაო არჩევნები, გაიმარჯვა 1964 შექმნილმა იმბოკოდვოს ეროვნ. მოძრაობის პარტიამ. 1967 ახ. კონსტიტუციამ ს. კონსტ. მონარქიად გამოაცხადა; უმაღლესი ბელადი სობჰუზა II ს-ის მეფე გახდა. 1968 წ. 6 სექტ. გამოცხადდა ს-ის დამოუკიდებლობა. 1968 წ. 24 სექტ. ს. გაეროს წევრად მიიღეს. 1973 აპრ-ში სობჰუზა II-მ გააუქმა კონსტიტუცია, დაითხოვა პარლამენტი, აკრძალა პოლიტ. პარტიების მოღვაწეობა და ხელში აიღო საკანონმდებლო, აღმასრ. და იურიდ. ხელისუფლება. 1978 წ. 13 ოქტ. მიიღეს ახ. კონსტიტუცია. 1982 აგვ-ში სობჰუზა II გარდაიცვალა. სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს დედოფალი-რეგენტი, სანამ მემკვიდრე პრინცი სრულწლოვანი გახდება.

ს. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყანაა. ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ. და სამთომოპოვებითი მრეწველობა. მოსახლ. მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება. მოჰყავთ (ათ. ტ. 1982): სიმინდი —60,3, შაქრის ლერწამი —32,49, ციტრუსები — 11,9, ანანასი — 30. 1980 ს-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი—658, თხა—303, ცხვარი — 32, ღორი —15.

იღებენ აზბესტს, რკინის მადანს, ქვანახშირს. არის ხე-ტყის, შაქრის ლერწმის გადასამუშ., საკონსერვო ქ-ნები. 1982 წარმოებული იყო 460 მლნ. *კვტ·სთ* ელექტროენერგია. რკინიგზის სიგრძეა 318 *კმ*, საავტ. გზებისა —2820 *კმ*, აქედან დაახლ. 1500 *კმ* მაგარსაფრიანია (1982). 1981 ექსპორტმა შეადგინა 330,9 მლნ. ლანგენი, იმპორტმა — 381,4 მლნ. გააქვთ შაქარი, ხე-ტყე, ხილი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, სამომხმარებლო სამრეწვ. საქონელი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: სამხრ. აფრ. რესპუბლიკა, ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები, იაპონია, აშშ.

ს-ში სავალდებულო სწავლება არ არის. დაწყ. სკოლა 7-წლიანია. უმცროს კლასებში სწავლება დედაენაზეა. დაწყ. სკოლის უფროს კლასებსა და საშ. სკოლაში — ინგლ. ენაზე. საშ. სკოლა 5-წლიანია (3+2). 1984 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 82 ათ-მდე მოსწ., საშ. სკოლაში — 12,5 ათ. მანზინიში 2 პედ. სასწავლებელია (დაახლ. 340-მდე მოსწ.); პროფტექ. მომზადების სისტემაში 600-ზე მეტი მოსწავლე იყო. არის რამდენიმე საშ. სპეც. სასწავლებელი. ქ. რომაში (დაარსდა 1945 ლესოთოში) ბოტსვანის, ლესოთოსა და სვაზილენდის უნტია. 1972-დან მისი ფილიალია ს-ში. მანზინიში არის ცენტრ. ბ-კა, აგრეთვე საჯარო ბ-კები (მბაბანე, მანზინი).

ს-ში გამოდის რამდენიმე პერიოდული გამოცემა. საინფორმაციო სააგენტო არა აქვს. რადიომაუწყებლობა დაარსდა 1966 მბაბანეში. გადაცემები მიმდინარეობს ინგლ. და სვაზი ენებზე; სატელევიზიო კორპორაცია დაარსდა 1978.

სვალბარდი (Svalbard), კუნძულთა ჯგუფი ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, ჩ. გ. 74 და 81° და ა. გ. 10 და 35° შორის. მოიცავს *შპიცბერგენის* არქიპელაგს, დათვის კუნძულს და სხვა პატარა კ-ებს. ეკუთვნის ნორვეგიას. საერთო ფართ. 62051 *კმ*². გამყინვარების ფართ. 35,1 ათ. *კმ*². ძირითადი დასახლ. პუნქტია ლონგირი (ს-ის ადმ. ცენტრი).

სვამერდამი (Swammerdam) იან (12. II. 1637, ამსტერდამი, — 15. II. 1680, იქვე), ჰოლანდიელი ბუნებისმეტყველი. მისი უმთავრესი ნაშრომები ეხება ადამიანისა და ცხოველთა (უმთავრესად მწერების) ფიზიოლ. საკითხების შესწავლას. ს-ს ეკუთვნის მწერების კლასიფიკაცია, რ-იც დაფუძნებულია მათი *მეტამორფოზის* თავისებურებებზე. ს. *პრეფორმიზმის* მომხრე იყო, უარყოფდა თვითჩასახვას. დაამუშავა პრეპარირების ახ. მეთოდიკა, პირველმა გამოიყენა სისხლძარღვებში ინექცირების მეთოდი. შექმნა გულის მუშაობის, სუნთქვითი მოძრაობის, ნერვის გაღიზიანებისას კუნთოვანი შეკუმშვის სარეგისტრაციო ხელსაწყოები და სხვ.

სვანები, იხ. *ქართველები.*

სვანეთისწყლის ჭიდი, ლეჩხუმის ქედის სამხრ. განშტოება, მდ-ების რიცეულისა და ჭრინეევის (რიონის აუზი) წყალგამყოფი. მიემართება სამხრ-ით და თავდება აღნიშნული მდ-ების შეერთების ადგილზე. ამაღე მიმართულებით დაბლდება 3000-იდან 1200 *მ*-მდე. აგებულია ზედალიასური ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. თხემი მობრტყელებულია. სამხრ. ნახევარი ტყეებით (წიფელი, ნაძვი) არის შემოსილი, 2000 *მ* ზევით სუბალპ. და ალპ. მდელოებია. *ს. ნემანიშვილი.*

სვანეთი, საქართველოს ერთ-ერთი მხარე. მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრ. კალთებს და მდ-ების ენგურისა და ცხენისწყლის ზემოწელს (ისტ. ს-ში შედიოდა აგრეთვე მდ. კოდორის ზემოწელის ხეობები, ე. წ. აფხაზეთის სვანეთი, სამეგრელოს ჩრდ. ნაწილი, ლეჩხუმისა და ზემო რაჭის მოსაზღვრე რეგიონი; ჩრდ. კავკასიაში — ყუბანისა და ბაქსანის სათავის ხეობები). ადრინდ. საუკუნეებში ს. კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ — ეგრისის სამეფოსი. XI—XV სს-ში ს. საქართვ. ფეოდ. სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ რამდენიმე ნაწილად დაიყო: *სვანეთის სამთავროდ* (ზემო ს-ის დას. ნაწილი, ენგურის ხეობა, ბალის ქედის ქვემო მხარე—იგივე სადღეშქელიანო ს.), ბალზემო ს-ად (ზემო ს-ის აღმ. ნაწილი—იგივე გვიანდ. პერიოდის *„თავისუფალი სვანეთი"*), ქვემო ს-ად (ცხენისწყლის ხეობა: ლაშხეთის, ჩოლურისა და ლენტეხის თემები). XVIII ს. მეორე ნახევარში ლენტეხის თემი დადიანებმა დაიმორჩილეს, ხოლო XIX ს. დასაწყისიდან ქვემო ს-ს, ანუ „ცხენისწყლის სვანეთს", სადადიანო ს-იც ეწოდა.

საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფით ს. მოიცავს მესტიის რ-ნისა (ზემო სვ.) და ლენტეხის რ-ნის (ქვემო სვანეთი) ტერიტორიებს.

წყარო: გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973; ჩარკვიანი ა., საბჭოთა სვანეთი, თბ., 1974. *გ. გასვიანი.*

სვანეთის აჯანყება 1875 — 76, ანტიკოლონიური აჯანყება, მიმართული ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაიწყო მიწების გაზომვასთან დაკავშირებით, როცა სვანეთის მოსახლეობა დარწმუნდა, რომ მეფის მთავრობა ახ. გადასახადებისა და სამხ. ვალდებულების შემოღებას აპირებდა. მეფის რეჟიმითა და პოლიტიკით შეცვიწროებულმა *„თავისუფალი სვანეთის"* 2 ათ-მდე წარმომადგენელმა 1875 ივნ. თავი მოიყარა სოფ. ლალხორში, სადაც ყ. შარვაშიძისა და ა. ფარჯიანის მეთაურობით კვირიკეს ეკლესიაში ფიცი დადეს, რომ, თუ მთავრობა ხელს არ აიღებდა თავის განზრახვაზე, მაშინ იარაღით იბრძოლებდნენ თავის დასაცავად. შექმნილი ვითარების გამო 1875—ივლ-ში სვანეთში გაიგზავნა სამხ. ექსპედიცია. ხელისუფლების წარმომადგენლებმა აჯანყებულებს პირობა მისცეს, რომ მთავრობა არ შემოიღებდა ახ. გადასახადებსა და სამხ. ვალდებულებას. ამით შეძლეს აჯანყებულთა ნეიტრალიზება და სვანეთში მშვიდობიანი შესვლა. მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ სისტემ. გამოსვლებისა და უკანასკნელ მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაადანაშაულეს და მეთაურად ცნეს 16 კაცი, რ-თაც რამდენიმე წლის პატიმრობა ან სვანეთიდან გასახლება მიუსაჯეს. ბრალდებულთაგან გ. გასვიანმა, ჩ. ჯოხაძემ და შ. ჭურდიანმა თავს გაქცევით უშველეს. იმავე წელს 4 პატიმარი ქუთ. ციხეში გარდაიცვალა. ერთი წლის უშედეგო დევნის შემდეგ მაზრის სამოქალაქო და სამხ. ადმინისტრაციამ სოფ. ხალდეს მცხოვრებთ მოსთხოვა უზრუნველეყოთ თანასოფლელების გ. გასვიანისა და ჩ. ჯოხაძის პოლიციაში გამოცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს დასჯით ემუქრებოდნენ. ულტიმატუმის შეუსრულებლობის გამო სამხ. ასეული სოფელში შეიჭრა და ჯარისკაცები მცხოვრებლებს დაერივნენ. ხალდელებმა თავიანთი კოშკებიდან მომხდურებს ცეცხლი დაუშინეს, ასეულის უფროსი, მამასახლისი და რამდენიმე ჯარისკაცი დახოცეს; ამას მოჰყვა მაზრის უფროსის, ბოქაულის, მომრიგებელი მოსამართლის, აგრეთვე რამდენიმე სამოქალაქო და სამხ. პირის სიკვდილი თუ დაჭრა (პირველივე ბრძოლაში თითქმის მთელი ასეული განადგურდა, ხალდელთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი დაიჭრა). საგანგაშო ვითარების გამო სვანეთში ახ. დიდი სამხ. ექსპედიცია გაიგზავნა (1200-კაციანი რეგულარული ნაწილი, საარტ. ბატარეა, მესანგრეთა რაზმი და მილიციის 3 ასეული). ამასთანავე მზადყოფნაში მოიყვანეს ყაბარდოსა და აფხ. ხაზის სამხ. ნაწილები, რ-ებიც საჭირო შემთხვევაში სვანეთში ჩრდ-იდან და დას-იდან უნდა შეჭრილიყვნენ. 1876 წ. 21 აგვ. დილით დაიწყო იერიში, რ-იც 27 აგვ. აჯანყებულების შეპყრობით, ხალდეს აღებით და სრული მოსპობით დამთავრდა. შეპყრობილ 8 კაცს სახელდახელო სამხ. სასამართლომ სამუდამო კატორღა ან შორეულ მხარეში გადასახლება მიუსაჯა. ამასობაში დააპატიმრეს აჯანყების 22 მონაწილეც, რ-თა დასაცავად აღდგა საქართვ. ფართო საზბა ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, დ. ლორთქიფანიძის, ლ. ლოლუასა და სხვ. მეთაურობით. მიუხედავად მხურვალე თანაგრძნობისა და მხარდაჭერისა, აჯანყების ყველა მონაწილეს ხანგრძლივი კატორღა ან სამუდამო გაციმბირება მიესაჯა. ამასთანაყე აიკრძალა ხალდეში დასახლება, მას ახ. იფრალი დაერქვა. აჯანყებას მიეძღვნა ცნობილი სვანური ხალხური სიმღერა „გაულგავხე".

ლიტ.: გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979; გელოვანი ა., სვანეთის თეთრი ქუდი, თბ., 1976; კოჭლაშვილი ა., გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წწ., «საის. ტორიო მოამბე», 1945, [ტ.] 1. *გ. გასვიანი.*

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დაარსდა 1936 როგორც მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სეტის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში დაცული ნივთიერი ძეგლების ბაზაზე. თავდაპირველად საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატს ექვემდებარებოდა, შემდეგ — საქ. სსრ კულტურის სამინისტროს, 1973-იდან ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ფილიალია და ს. ი.-ე. შ. ჰქვია. ჩამოყალიბების დროისათვის მუზეუმს რამდენიმე ექსპონატი ჰქონდა. ინტენს. შეგროვებითი და სამხარეთმცოდნეო მუშაობის შედეგად მუზეუმის თანამშრომლებმა, მეცნიერებმა და ადგი-



სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. წმ. იოვანეს ხატი. ფერწერა. XIII ს. დასაწყისი.

ლობრივმა ინტელიგენციამ 1948 რ-ნის ყოფილი საგვარეულო ეკლესიებიდან მუზეუმში გადაიტანეს 21 ხელნაწერი (მ. შ. *ადიშის ოთხთავი*), ხელოვნ. 46 ნიმუში (ხატები, ჯვრები და სხვ.). 1963 მოეწყო მწარის რევოლუციამდელი ისტ. და საბჭ. პერიოდის ამსახველი ექსპოზიცია, რ-შიც სპეც. განყ-ბა დაეთმო მესტიის რ-ნში სოციალ. მშენებლობის წარმატებათა ამსახველ მასალებს.

1973-იდან მუზეუმმა ფართო მასშტაბით წამოიწყო სვანეთის ძეგლების აღრიცხვა, დაცვა და შესწავლა, გაფართოვდა სამეცნ.-კვლ. მუშაობა, შეიქმნა კულტ.-ძეგლთა დაცვის ზონალური სისტემა. 1984 წ. იანვრისათვის ს. ი.-ე. მ-ში ზონალური ფონდსაცავების ჩათვლით 12282 ექსპონატი ირიცხებოდა. აღსანიშნავია არქეოლ., ჭედური ხელოვნების, ხელნაწერი წიგნების, ნუმიზმატიკისა და ეთნოგრ. ძეგლების მდიდარი ფონდები. მ. შ. ბეერი უნიკალური ნივთია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს IX—XII სს. ხელნაწერი წიგნები, ჭედური და ფერწერული ჯვარხატები, ანტ. და გვიანდ. ანტ. ხანის ოქროს მონეტები, V ს. ბრინჯაოს სირიული საცეცხლურები, ფეოდ. ხანის მძივ-სამკაულები და საოჯახო დგამ-ჭურჭელი. შუა ფეოდ. ხანის უნიკალურ კოლექციაში თავმოყრილია წარწერიანი და თარიღიანი ნივთები. მუზეუმი ძირითადად ივსება რ-ნის მოსახლეობაში გაბნეული ნივთიერი ძეგლებით.



სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ორმოცი მოწამის ხატი. ფრაგმენტი. ფერწერა. XII ს. I ნახევარი.

ლიტ.: გ უ ლ ე დ ა ნ ი ე., მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, «საბჭოთა ბელოვნება», 1965, № 12; კ ვ ი ც ი ა ნ ი ა., შ უ კ ვ ა ნ ი შ., მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1972, № 2.

ც. ჩართოლანი.

სვანეთის კავკასიონი, კავკასიონის მონაკვეთი ფასისმთისა (აღმ-ით) და დალარის უღელტეხილის (დას-ით) მერიდიანებს შორის. ჩრდ-ით ისაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედის თხემით მდ. დალარის სათავეებიდან მდ. ცხენისწყლის სათავეებამდე, სამხრ-ით და აღმ-ით—მდ. ების თხეიშის, ხელედულისა და ცხენისწყლის ხეობებით, დას-ით—აფხაზეთ-სვანეთის ქედით. ს. კ. აგებულია კამბრიულ-ისწინა, პალეოზოური და მეზოზოური ნალექებით. გავრცელებულია აგრეთვე მეოთხეული ნალექები. ს. კ. კავკასიონის სხვა მონაკვეთებისაგან გამოირჩევა ბუნების სიმშვენიერით და მას ზოგჯერ სვანეთის ალპებსაც უწოდებენ. გაბატონებულია საშუალ- და მაღალმთის მთა-ხეობათა რელიეფი. ძირითადია კავკასიონის მთავარი ქედი, რ-იც აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, გნაისებით, კრისტ. ფიქლებით; გამოირჩევა დიდი აბსოლ. სიმაღლით, ძლიერ დანაწევრებული თხემით, კონუსისებრი მწვერვალებით, შიშველი, ფრიალო კიდეებითა და თანამედროვე მყინვარებით. აღმართულია 4500 *მ*-ზე მაღალი მწვერვალები, თოვლყინულით დაფარული ულელტეხილები. მთავარი ქედის სამხრ. განტოტებიდან აღსანიშნავია: აფხაზეთ-სვანეთის, შდავლერის, ცალგმილის, უშბის, გვალდის, ნამყოდრის, ულვირ-ზაგარის, ლაქუცა-ლაარტყალის, კარეტისა და სხვ., რ-ებიც გამოირჩევა აღპ. ლანდშაფტით. მნიშვნელოვანი ელემენტია გვერდითი *სვანეთის ქედი*. ს. კ-ის მთავარი ქედისა და მისი განტოტებების კალთები ძლიერ დასერილია მრავალი მთის მდინარის ღრმა და ვიწრო ეროზიული ხეობით. მსხვილი ოროგრ. ერთეულებია მდ-ების ცხენისწყლისა და ენგურის ხეობები. უკანასკნელი ზემო დინებაში გასწვრივია, ფართო და ქვაბულისებრი (მესტიის ქვაბული). მდ-ების ცხენისწყლისა და ხელედულის ხეობებიც ფართოა, აქვთ ქვაბულის მოყვანილობა (ქვემო სვანეთის ქვაბული).

ს. კ-ზე პავის სიმაღლებრივი ზონალურობაა. ზემო და ქვემო სვანეთში ქვაბულების ფსკერზე საშ. წლ. ტემპ-რა 5,7-იდან 9,4°C-მდეა, იანვ. — 1,8-იდან — 6°C-მდე მერყეობს, ივლ. 18,4-იდან 20°C-მდეა; აბსოლ. მინ. — 26-იდან — 35°C-მდეა, აბსოლ. მაქს. 35—39°C. უკიდურეს სამხრ. ნაწილში პაერის ტემპ-რები უფრო მაღალია. სიმაღლით ტემპ-რები კანონზომიერად ეცემა. ს. კ-ის დაბალ ნაწილში 1000—1250 *მმ* ნალექი მოდის წელიწადში, მთებში 2000 *მმ*-ს აღემატება.

ს. კ. გამოირჩევა ხშირი ჰიდროგრ. ქსელით, წყალუხვი მდ-ებითა და მყინვარების სიუხვით. ძირითადი არტერიაა მდ. ენგური. მდ-ების უმეტესობა გარდა თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლისა, საზრდოობს მყინვარების წყლით. წნალდიდობა გაზაფხულ-ზაფხულშია, წყალმცირობა — შემოდგომა-ზამთარში. ს. კ-ზე 100-ზე მეტი მყინვარია. ს. კ. მდიდარია მინერ. წყლებით. ქვემო სვანეთში მინერ. წყლის ბაზაზე გაშენებულია კურ. მუაში.

ს. კ-ის ნიადაგ-მცენარეული საფარიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნის. ზ. დ. 1800—2000 *მ*-მდე ტყის ტიპურ და გაეწრებულ ყომრალ ნიადაგებზე გავრცელებულია კოლხური ტიპის შერეული ფოთლოვანი ტყეები, 1000—1200 *მ*-ს ზემოთ ჭარბობს წიფელი და წიწვიანი ჯიშები. წიწვიანები გაბატონებულია 1200—1800 *მ*-მდე. მდ. ენგურის აუზის აღმ. ნაწილში მუქწიწვიანებში ჭარბობს ნაძვი, დას. ნაწილში — სოჭი. ტყის ზედა საზღვართან არის არყის, ცირცელის, მაღალმთის მუხის, წიფლისა და ნეკერჩხლის ტანბრეცილი ტყეები. 2000—2100 *მ*-ს ზემოთ მთის მდელოს ნიადაგებზე სუბალპ. და ალპ. მდელოები და ხალებია, 2800—3000 *მ*-ს ზემოთ მარადთოვლიანი ზონაა.

დ. უკლება.

სვანეთის სამთავრო, ფეოდალური სამთავრო დას. საქართველოში XVII ს. II ნახ. — 1858. ს. ს. მოიცავდა ზემო სვანეთის (მდ. ენგურის ხეობა) დას. ნაწილს ე. წ. ბალის ქედიდან (ლატალის დას-ით) ცხვიმზაგარამდე (ჯვარის აღმ-ით), შედგებოდა ბეჩოს, ლეჩყანის, ეცერის, ცხუმარისა და ჩუბეხევის თემებისაგან. ს. ს. დაახლ. 66 სოფელს, 1000-მდე კომლს ანუ 9500—10000 სულ მცხოვრებს ითვლიდა. სოც.-პოლიტ. წყობა და ურთიერთობანი ძირითადად საქართველოს ბარის მსგავსი იყო. სას. სფეროში ს. ს. ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. აქ მრავალრიცხოვან ქრისტ. ეკლესიათაგან სილამაზითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა ფხუტრერის მთავარანგელოზის ეკლესია.

ს. ს-ს შექმნისათვის ბრძოლა დაიწყო დადიშქელიანების ფუთასა და დიდი ოთარის დროს, რ-თა მემკვიდრეებმა სორთმანმა, როსტომმა, თენგიზმა და სხვ. ბრძოლა გაუმართეს მეტოქე რიჩგვიანთა საგვარეულოს, რაც ამ უკანასკნელთა სრული გადაშენებით დასრულდა. მთავრის — ბაბა ციოყის — მემკვიდრეები: მოსოსტრი, ციოყი, თათარყანი და სხვ. ერთმანეთს ებრძოდნენ პირველობისათვის. XIX ს. 20-იან წლებში მათი გვარეულობა და სამთავრო ორად გაიყო: *დადიშქელიანთა* უფროსი შტო ჩუბეხევს (სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტ.) დაეუფლა, ხოლო უმცროსი — ეცერის, ცხუმარისა და ბეჩო-ლეჩყანის თემებს. ორივე შტოს მეთაურები ერთპიროვნულ ბატონობას, სამთავროსა და მთელი სვანეთის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. 1833 დადიშქელიანებმა მეფის რუს. ქვეშევრდომობა მიიღეს, მაგრამ პირველობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, რაც ზოგჯერ მოქიშპე თავადთა და მშრომელი მოსახლ. აწიოკებით მთავრდებოდა. დაპირისპირებულ დადიშქელიანთა საქმეებში ხშირად დადიანები და მეფის მოხელეებიც ერეოდნენ. ყოველწლიურ შეგიწროებული ჩუბეხევის დადიშქელიანები ბრძოლას განაგრძობდნენ. 1857 კონსტანტინემ (მურზაყანი) მოკლა ქუთ. გენ.-გუბერნატორი გაგარინი. კონსტანტინე და ჩუბეხევის ყველა დადიშქელიანი რუს. შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. 1857—58 ს. ს. გაუქმდა, მისი მოსახლეობა კი სვანეთის საბოქაულოში გაერთიანდა.

ლიტ.: გ ა ს ვ ი ა ნ ი გ., დასავლეთ სა. ქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979.

გ. გასვიანი.

სვანეთის უბანი, ძვ. უბანი თბილისში, ქალაქის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე (ახლანდ. ოქტომბრის რ-ნის ტერიტ.) სახელწ. „ს. უ." XIX ს. II ნახევარში გაჩნდა. დაახლ. შემოიფარგლება ახლანდ. გოცირიძის, ლამის, ბოჭორიშვილისა და საბჭოს ქუჩებით.

სვანეთის ძეძი, მაღალმთიანი გასწვრივი ქედი ცენტრ. კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ-ების ენგურისა და ცხენისწყლის აუზის წყალგამყოფი. მთავარ ქედს გამოეყოფა მწვ. ნამყვამთან. სიგრძე 90 *კმ*, სიგანე 23 *კმ*. ცენტრ. ნაწილის მაქს. სიმაღლეა 4010 *მ* (მწვ. ლაჰილი). უღელტეხილებიდან ყველაზე ცნობილია ლატფარი (2825 *მ*). ს. ძ. აგებულია ქვედაიურული ფიქლოვან-ქვიშაქვოვანი ფლიშური წყებებით, ზედაიურული კარბონატული ნალექებით, ცენტრ. ნაწილი — პალეოზოური მეტამორფული ქანებით. უმთავრესად ახასიათებს ნაზი რელიეფი, ზოგან ციცაბო კლდოვანი მასივებია. ქედზე

არის თანამედროვე მყინვარები (აღმ. ლაჰილი, დას. ლაჰილი და სხვ.), რ-თა საერთო ფართ. 32 *კმ*²-ია. ქედი დასერილია მდინარეული ხეობებით. ს. ძ-ზე პავის სიმაღლებრივი ზონალურობაა — დაწყებული ნოტიო ციყზამთრიანი და მოკლეზაფხულიანი პავიდან და დამთავრებული მაღალმთის ნოტიო მუდმივ უხვთოვლიან-მყინვარებიანი პავით. წელიწადში 1800—2000 *მმ* ნალექი მოდის. ქედიდან ჩამოედინება მდ-ების ენგურისა და ცხენისწყლის შენაკადები: ხუმფრერი, ლასილი, ლაილჭალა, კასლეთი, ხელედულა, ლასკადურა და სხვ. ქედის ტყის ყომრალ და გაეწრებულ ყომრალ ნიადაგებზე გავრცელებულია შერეული ფართოფოთლოვანი და მუქნიწვოვანი ტყეები. ტყის ზონის ზემოთ მთის მდელოს ნიადაგებზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

გ. დევდარიანი.

სვანელი (ლაკვეხელიანი) ვალენტინა იოსების ასული (19. IV. 1905, ქუთაისი, — 5. I. 1971, ჭიათურა), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1970). 1923 მონაწილეობდა ქუთ. სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1923—35 მოღვაწეობდა ჭიათურისა და საქართვ. სხვადასხვა თეატრში. 1935-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ჭიათურის სახელმწ. თეატრის მსახიობი. გამოირჩეოდა შინაგანი სიმართლითა და დახვეწილი პროფესიონალიზმით. განასახიერა 300-მდე როლი. მ. შ.: მართა, მელანო, ეკვირინე (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“), ლირსა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), კესარია (ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“), ქაბატო (ა. ცაგარლის „ხანუმა“), კაკალა (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ბებია (ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) და სხვ.

შ. ცუცქირიძე.

სვანთა სავანე, ამტყელი, ზედა პალეოლითური ხანის ადრინდელი საფეხურის ნაბინარი მღვიმე სოხუმიდან 35 *კმ*-ზე, მდ-ების ამტყელისა და ჯამპალის შესართავთან 200 *მ*-ზე. მღვიმის სიგრძეა 10 *მ*, სიგანე — 12—13 *მ*, სიმაღლე 15 *მ*. აღმოაჩინეს 1958, გათხარეს 1963—66 (ნ. ზ. ბერძენიშვილი). ფიქსირებულია (1,5 *მ* სიმძლავრის) 4 ლითოლოგიური ფენა. არქეოლ. მასალას შეიცავს IV ფენა. ს. ს. პირველყოფილ ადამიანთა ხანგრძლივ ნაბინარს წარმოადგენს. ქვის იარაღის დამუშავება იქვე ხდებოდა. ნაპოვნია ზედა პალეოლითური ხანის 4500-ზე მეტი ქვის ნივთი (საჭრისები, საფხეკები, გრავეტის ტიპის მაგვარი იარაღი, მიკროიარაღი და სხვ.). აგრეთვე მუსტიეს ხანის იარაღი და წარმოების ნაშთები. ფაუნიდან აღსანიშნავია დომბის, შველის, მღვიმური დათვის, ჯიქის ძვლების ნაშთები.

მასალა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

დ. თუშაბრამიშვილი.

სვანიძე ალექსანდრე სვიმონის ძე (1886, სოფ. ბაჯი, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი, — 14. XI. 1942), საბჭ. სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი. კომუნისტური პარტიის წევრი 1903-იდან. მოისმინა იენის (გერმანია) უნ-ტის ისტ.-ფილ. ფაკ-ტის კურსი. ამიერკავკასიაში არალეგალურ რევ. მოღვაწეობას ეწეოდა. სამოქალაქო ომის (1918—20) მონაწილე. 1921—24 განათლების სახ. კომისარი და ფინანსთა სახ. კომისარი; იმავე დროს — საქ. სსრ საგარეო საქმეთა სახ. კომისარი. 1924—37 სსრკ სავაჭრო წარმომადგენლად მუშაობდა გერმანიაში. ს. იყო სსრკ საგარეო ვაჭრობის ბანკის სამმართველოს თავ-რე, სსრკ სახელმწ. ბანკის სამმართველოს თავ-რის მოადგილე. ძვ. აღმოსავლეთის ისტ. თვალსაჩინო მკვლევარი. ასურ. და ურარტულ წყაროებზე დაყრდნობით ამიერკავკ. უძველესი ისტორიის ნარკვევი მოამზადა. ურნ. „Вестник древней истории“ პირველი რედაქტორი იყო.

თხზ.: ვეფხისტყაოსნის ისტორიული მხარე, „შვიდი მნათობი“, 1919, №2; აღმოსავლეთის ისტორია, სპარსეთი, თფ., 1922; ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული, თფ., 1934; Руставели и его поэма, «Новый мир», 9, 1936; Материалы по истории кавказских племен, Тб., 1937; Названия древневосточных богов в грузинских песнях, «Вестник древней истории», 1937, № 1; Наши задачи, იქვე.

ლიტ.: მგელაძე ი., ალექსანდრე სვანიძე — წგნ-ში მგელაძე ი., რუსთველოლოგები, თბ., 1970; Коростовцев М. А., А. С. Сванидзе, «Вестник Древней истории», 1962, № 2.

სვანიძე გივი გედეონის ძე (დ. 20. IX. 1921, სოფ. ცხუკუშერი, ახლანდ. ცაგერის რ-ნი), ქართველი საბჭ. ჰიდროლოგი და ჰიდროენერგეტიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1981), საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979), ტექ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1966). საქ-სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1984), სკკპ წევრი 1948-იდან. 1944 დაამთავრა ს. მ. კიროვის სახ. საქართვ.ინდუსტრ. ინ-ტი. 1958—71 ხელმძღვანელობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. დიდებულიძის სახ. ენერგეტ. ინ-ტის წყლის რესურსების კომპლ. გამოყენების განყ-ბას. 1971-იდან თსუ-ის ხმელეთის ჰიდროლ. კათედრის გამგეა. 1976-იდან — სსრკ ჰიდრომეტეოროლ. და გარემოს კონტროლის სახელმწ. კომიტეტის ამიერკავკ. რეგიონული სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. ს. თანამედროვე სტოქასტიკური ჰიდროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისმა გამოკვლევებმა ჰიდროლ. პროცესების მოდელირების დარგში დასაბამი მისცა ახ. სამეცნ. მიმართულებას მდინარეული ჩამონადენის რეგულირების თეორიაში. გამოკვლევები აქვს წყლის რესურსების კომპლ. გამოყენებისა და ჰიდროენერგეტიკის დარგში. ს-მ შეადგინა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, ჟინვალის ჰესისა და მდ-ების არფისა და ელეგისის სევანის ტბაში გვირაბით გადაგდების პირველადი სქემები. მის მიერ დამუშავებული მეთოდები ფართოდაა გამოყენებული ანგარა-ენისისა და ენგურის ჰესების კასკადების დაპროექტების, აგრეთვე მინგეჩაურის, ბუქთარმისა და სხვა ჰესების საექსპლუატაციო გეგმების შედგენის დროს. ს-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომი „საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება“ (1960—61, ტ. I—10). ს. ხელმძღვანელობს მეტეოროლ. პროცესებზე აქტ. ზემოქმედების გზით ატმ. ნალექების ხელოვნური სტიმულირების სამუშაოებს, კოლხეთის დაშრობის შესაძლო კლიმ. ცვლილებების პროგნოზირების საქმეს. საქართვ. გეოგრ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1980). თსუ-ის პ. მელიქიშვილის სახ. პრემია (1972), საქართვ. გეოგრ. საზ-ბის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. პრემია (1982). დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით და მედლებით.

თხზ.: Гидрология реки Бзыбь, под ред. Г. Г. Сванидзе, Тб., 1981 (თანაავტ.); Математическое моделирование гидрологических рядов для водноэнергетических и водохозяйственных расчетов, Л., 1977; Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, под ред. Г. Г. Сванидзе, Я. А. Цускиридзе, 2 изд., Л., 1983 (თანაავტ.); Основы расчета регулирования речного стока методом Монте-Карло, Тб., 1964; Mathematical modeling of hydrologic series for hydroelectric and water resources computations, Fort Collins, 1980.

ვ. ჯავრიშვილი.

სვანიძე პროკოფი ნიკოლოზის ძე [დ. 25. IV (8. V). 1914], ცაგერის რ-ნის კოლ-ბა „ხეივნის“ მეთამბაქოეთა ბრიგადის ბრიგადირი. ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1948, 1951). სკკპ წევრი 1947-იდან. 1933 მუშაობდა ცაგერის რ-ნის სოფ. ცხუკუშერის კოლ-ბის მემინდვრეთა ბრიგადაში (1938—39 ბრიგადირი იყო), 1940-იდან — ცაგერის რ-ნის სოფ. ხეივნის კოლ-ბაში (ახლანდ. კოლ-ბა „ხეივანი“). 1945-იდან ამ კოლ-ბის ბრიგადირი იყო. 1958-იდან პენსიაზეა. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში (1941—45). ს-ის ხელმძღვანელობით ბრიგადა ყოველწლიურად იღებდა თამბაქოსა და სხვა სას.-სამ. კულტურის უხვ მოსავალს. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, დიდების II და III ხარისხის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

სვანური ენა, ქართული ენის ერთ-ერთი უახლოესი მონათესავე ენა. ქართულთან და ზანურთან (მეგრულ-ჭანურთან) ერთად შეადგენს იბერიულ-კავკ. ოჯახის ქართველურ ენათა განშტოებას. ს. ე-ზე ლაპარაკობენ საქ. სსრ მესტიისა და ლენტეხის რ-ნებში, აგრეთვე ლათის და აჟარის სას. საბჭოებში (აფხაზეთის ასსრ). უმწერლობო ენაა. სვანებისათვის სალიტ. და ეროვნ. ენა იმთავითვე ქართული იყო. ს. ე-ში გამოიყოფა 4 დიალექტი: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემოსვანური), ლაშხური და ლენტეხური (ქვემოსვანური). დიალექტთა ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნებად მიჩნეულია: ხმოვანთა პალატალური უმლაუტი, სიგრძე და რედუქცია (ნ. მარი, ა. შანიძე). ს. ე-ში 6 ძირითადი ხმოვანია: ა, ე, ი, ო, უ, გ. უმლაუტიან და უუმლაუტო ხმოვანთა კორელაცია ახასიათებს ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს, სადაც ი, ე ხმოვანთა წინა პოზიციაში ა→ჱ, ჳ→ჲ, ო→ᲣᲔ→ᲤᲔ, რ→ᲠᲔ→ᲧᲔ, უ→ᲣᲘ→ᲤᲘ, ᲣᲜ→ᲨᲔ→ᲧᲔ.


გრძელი და მოკლე ხმოვნები დაპირისპირებულია ბალსზემოურსა და ლაშხურში. ხმოვანთა რედუქცია დასტურდება ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში. თანხმოვანთა სისტემა დიალექტებში ერთგვარია და ძალიან ახლოს დგას ძვ. ქართ. თანხმოვანთა სისტემასთან. სულ 30 თანხმოვანია: ბფპ, დთტ, ძცწ, ჯჩჭ, გქკ, ჯყ, ზს, ჟშ, ღხ, ჰ, მ, ნ, ლ, რ, ჭ, ჲ (კბილბაგისმიერი ვ სვანურში არ არის). სახელთა ბრუნება და ზმნის უღვლილება სვანურში რთულია და ფორმებით მრავალფეროვანი. ბრუნვა ექვსია: სახ., მიც., მოთხრ., მოქმ., ვით., ნათ.; ბრუნების ტიპი ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში ხუთია, დანარჩენ დიალექტებში კი უნიფიცირებულია. ქართულისა და ზანურისაგან განსხვავებით, ს. ე-ის ზოგ ბრუნებას ახასიათებს ორფუძიანობა: მიცემითის ფორმა გამოყენებულია ფუძედ დანარჩენ ბრუნვებისათვის, ხოლო ნათესაობითი ემყარება მოთხრობითს. ორფუძიანობა ფართოდაა გავრცელებული მთის იბერიულ-კავკ. ენებში.

ზმნები შინაარსის მიხედვით იყოფა სტატ. და დინამ., გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა ჯგუფებად. ს. ე-ის ზმნას აქვს შემდეგი მორფოლ. კატეგორიები: პირი, რიცხვი, ქცევა ანუ ვერსია, გვარი, სახე ანუ ასპექტი, კილო, დრო. ს. ე-ის ზმნა როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ პირველ პირთან მრ. რიცხვში განასხვავებს ინკლუზიურსა და ექსკლუზიურ ფორმებს.

სუბიექტური პირის ნიშნებია მხ. რიცხვში: I პ. ხუ- (ხმოვნის წინ), -უ- (თანხმოვნის წინ), II პ. ხ- (ხმოვნის წინ), 0- (თანხმოვნის წინ), III პ. 0; (ლ-), -ს, -ა, -ე; მრ. რიცხვში: I . ინკლუზივი ლ- — -დ. I პ. ექსკლუზივი ხუ- (უ — -დ), II პ. ხ- — -დ, III პ. 0 (ლ-) — -ხ. ობიექტური პირის ნიშნებია მხ. რიცხვში: I პ. მ-, II პ. ჯ-, III პ. ხ- (ირიბი ობიექტი), 0, ლ- (პირდაპირი ობიექტი); მრ. რიცხვში: I პ. ინკლუზივი გუ-, II პ. ექსკლუზივი ნ-, II პ. ჯ- — -ხ, III პ. ხ- — -ხ. ლ- S_3-ს აღნიშნავს სამ ზმნაში: ლ-ი „არის“, ლ- ასუ „იყო“, ლ-ჯგ „დგას“, ხოლო პირდაპირ ობიექტს — ორ ზმნაში: ლა-ლ-ემ „შეჭამა“, ლა-ლ-ჯშ




ვ. სვანელი.



ა. სვანიძე.



გ. სვანიძე.



პ. სვანიძე.



სვანური კოშკი. ფილიანების და რატიანების კოშკები. მესტია. ლანჩვალი. მუა საუკუნეები.

(ლაშხური) „შესვა“. წარმოშობით ლინვთის კლასის ნიშანია (ვ. თოფურია, ნ. ანდღულაძე).

ქცევა სამია: საარვისო ანუ ნეიტრალური, სათავისო ანუ სასუბიექტო და სასხვისო ანუ საობიექტო. საარვისო ქცევის ნიშანია ა-, 0 (ა-მჯრე „ამზადებს“, ტიხე „აბრუნებს“), სათავისო ქცევისა — ი- (ი-მჯრე „იმზადებს“, ი-ტხე „იბრუნებს“), სასხვისოსი — პირველ და მეორე ობიექტურ პირთან -ი- (მ-ი-მჯრე „მიმზადებს“. ჯ-ი-მჯრე „გიმზადებს“), მესამე ობიექტურ პირთან -ო- (ხ-ო-მჯრე „უმზადებს“). სვანური ზმნა განასხვავებს მოქმედებითსა და ვნებით გვარს. მოქმედებითს სპეც. მაწარმოებელი არა აქვს. ვნებითს აწარმოებს პრეფიქსები: -ი- (ერთპირიანს; ხტ-ი-მჯრი „ვმზადდები“) და -ე- (ორპირიანს: ხტ-ე-მჯრი „ვემზადები“) ან ფუძისეული ხმოვნის აბლაუტი, ფუძედრეკადობა (ატიხ „დააბრუნა“ — ატჯხ „დაბრუნდა“). ზმნებს, რ-თაც გვარის თვალსაზრისით დაპირისპირებული ფორმები არა აქვთ, ხშირად სშ. გვარის ზმნებს უწოდებენ. ესაა გარდაუვალი ზმნები, რ-თაც ვნებითის ფორმები არა აქვთ: ჰრი „არის“, სგურ „ზის“, ხოხალ „იცის“.

გზა ორია: უშუალო და შუალობითი ანუ კაუზატივი. კაუზატივის ძირითადი მაწარმოებელია სუფიქსი -უნ-: ნშხი „წვავს“ ხნშხ-უნ-ე „აწვევინებს“.

ასპექტი შეიძლება იყოს სრული და უსრული. სრულ ასპექტს გამოხატავს ზმნისწინები ანუ პრევერბები, რ-თა თავდაპირველი ფუნქციაა მოქმედების მიმართულების ან ადგილის ჩვენება. ს. ე-ში იხმარება 8 მარტივი პრევერბი. ამათგან 4 წმინდა პრევერბია (ან- „მო“, ად-/ ა- „მი, და, გა, წა“, ეს- „ში, და, წა“, ლა- „შე, მი, წა“), 4—ზმნისწინ-თანდებული (ჟი „აღ, ზე“, ჩუ „ქვე, ჩა, და“, სგა „შე, ჩა“, ქა, „გა, წა“). II ჯგუფის პრევერბები უშუალოდ ზმნის ფორმას ვერ მიერთვიან, იერთებენ I ჯგუფის პრევერბებს და ქმნიან რთულ პრევერბებს: ჟი+ან→ჟ’ ან, ჩუ+ეს→ჩუეს, ქა+ად→ქად და ა. შ. ს. ე-ში 3 კილოა: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. საკუთარი ფორმები აქვს თხრობითსა და კავშირებითს. ზმნის დრო-კილოები საწარმოებელი ფუძისა და წარმოების პრინციპის ერთგვაროვნობის, აგრეთვე სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობის მიხედვით სამ წყებას ანუ სერიას შეადგენენ. I სერიის ნაკვთებია: აწმყო, ნამყო უსრული, პირველი კავშირებითი, მყოფადი უსრული, მყოფადი სრული, მყოფადი უსრულის პირობითი, მყოფადი სრულის პირობითი, I სერიის პირველი თურმეობითი, I სერიის მეორე თურმეობითი. II სერიაში შედის: ნამყო სრული (აორისტი) და მეორე კავშირებითი. III სერიას შეადგენს: III სერიის პირველი თურმეობითი, III სერიის მეორე თურმეობითი, მესამე კავშირებითი.

ზმნის მარტივი ფუძე წარმოდგენილია II სერიაში. I სერიაში მას შეიძლება დაერთოს -ი, -ე სუფიქსები, აგრეთვე -ემ, -ერ, -ჭსგი, -ჭშგი, -ჭლი, -ჭნი, -ინე და სხვ. თემის ნიშნები.

გარდამავალი ზმნები I სერიაში ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან, II სერიაში — ერგატიულს, მესამეში — დატიურს. გარდაუვალ ზმნებს სამსავე სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია აქვთ. III სერიაში გარდამავალი ზმნები ინვერსიული წყობისა ხდებიან, გარდაუვალ ზმნებს კი აღწერითი წარმოება აქვთ.

უღელილების ტიპების თვალსაზრისით ს. ე-ის ზმნები სამ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფში შედის მოქმედებითი გვარის ზმნები, რ-თა ვნებითს აწარმოებს -ი-, -ე- პრეფიქსები, II ჯგუფში — ფუძედრეკადი ზმნები, ხოლო III ჯგუფს შეადგენენ ე. წ. სშ. გვარის ან, უფრო ზუსტად, უგვარო გარდაუვალი ზმნები.

მორფემათა შესაძლებელი განაწილება ზმნურ ფორმებში ასეთია: ზმნისწინი+პირის ნიშანი+ქცევის /ვნებითი გვარის ნიშანი+ზმნის ძირი+თემის ნიშანი + კაუზატივის ნიშანი+დროის /კილოს ნიშანი+მესამე პირის სუფიქსი / მრ. რიცხვის ნ: შანი. ყველა ეს ფორმანტი ყოველთვის არ არის წარმოდგენილი. მორფემათა შეერთებისას ხშირად ადგილი აქვს მთელ რიგ ფონეტიკურ პროცესებს: პალატალურ ან ველარულ უმლაუტს, სხვადასხვა სახის ასიმილაციას, დისიმილაციას, ხმოვნის დაგრძელებას, რედუქციას და ა. შ.

ლიტ.: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; თოფურია ვ., ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1944, ტ. 5, № 3; მისივე, სვანური ენა, [ტ.] 1 — ზმნა, გამოც. მე-2, თბ., 1967; მაჭავარიანი გ., ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში, «თსუ შრომები», 1960, ტ. 93; ჟღენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1949; ქალდანი მ., სვანური ენის ფონეტიკა, [ტ.] 1 — უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969; შანიძე ა., უმლაუტი სვანურში, კრ.: არილი, ტფ., 1925; შარაძენიძე თ., ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1955, ტ. 7; მისივე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში, ბაღსზემოური კილოს მიხედვით, იქვე, 1954, ტ. 6; ჩიქობავა ა., სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, «თსუ შრომები», 1941, ტ. 18; ჯანაშია ს., სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 12; Марр Н. Я., Где сохранилось сванское склонение?, «Известия Академии наук», 1911; Мисивд, Из поездок в Сванию, «Христианский Восток», 1913, т. 2, в. 1.

თ. შარაძენიძე.

სვანური კოშკი, სვანეთში გავრცელებული სათავდაცვო ნაგებობა, ჩვეულებრივ 20—25 *მ* სიმაღლისა. შედგება 4—5, იშვიათად 6 სართულისაგან. ქვედა სართული, რ-ის კედლები 1,5 *მ*-მდე სისქისაა, მეტწილად ყრუა, შესასვლელი II სართულის დონეზეა მოწყობილი. სიმაღლეში კოშკი ვიწროვდება და კედლების სისქე 70—80 *სმ*-მდე მცირდება. სართულები შიგნით ერთმანეთთან გადასატანი ხის კიბეებით არის დაკავშირებული. გვირგვინით დასრულებული კოშკის უკანასკნელ სართულზე მოწყობილია საბრძოლო ბაქანი. გადახურულია ორფერდა სახურავით, აღჭურვილია სათოფურებით. ს. კ-ს აგებდნენ რიყის ქვითა და ლოდებით, იყენებდნენ ფიქალსაც (უშგული). კოშკებს გარედან ლესავდნენ იშვიათი სიმტკიცის ბათქაშით. ს. კ. ან საცხოვრ. ნაგებობებთან არის დაკავშირებული (შურცვამი ანუ კოშკიანი სახლები), ან ცალკე დგას (ქურდიანების კოშკი, სოფ. ბოგრეშის მიდამოები).



ლ. სვემპი. „ნატურმორტი მსხლითა და ყვავილებით“. 1966. მხატვრის კუთვნილება.

სვანური ციხე-სახლი, სვანური საცხოვრებლის ერთ-ერთი სახე. კოშკისებრი საცხოვრებელი ნაგებობა, რ-საც ეკისრება აგრეთვე სათავდაცვო ფუნქცია. კოშკისაგან განსხვავებით ს. ც.-ს. უფრო დაბალია და მასიური. შედგება 3 სართულისაგან. პირველი სართული ადამიანთა საცხოვრებლად და საქონლის სადგომადაა გამოყენებული, II სართულზე (სამეურნეო დანიშნულებისაა) ასასვლელად კედელში დატანებულია ქვის კიბე; III სართული ბანია და სათავდაცვო დანიშნულება აქვს. ს. ც.-ს-ის ნიმუში შემონახულია სოფ. ჩაჟაშში.

სვარაჯი (სანსკრ., სიტყვასიტყვით — საკუთარი მმართველობა), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპროგრამო პოლიტიკური ლოზუნგი ინდოეთში, მოუწოდებდა ბრძოლას ინგლ. ბატონობის წინააღმდეგ, თვითმმართველობის მოსაპოვებლად. გაჩნდა XX ს. დასაწყისში. როგორც საპროგრამო მოთხოვნა მიღებულ იქნა *ინდოეთის ეროვნული კონგრესის* (იეკ) კალკუტის სესიაზე 1906. იეკ-ის ნაგპურის სესიამ (1920) ს-ის რეალიზაციისათვის ბრძოლა წამოაყენა იეკის მოღვაწეობის ძირითად მიზნად. კონგრესის სხვადასხვა დაჯგუფებას ს. ესმოდა სხვადასხვაგვარად. ზომიერი კონგრესისტები მოუწოდებდნენ შეზღუდული თვითმმართველობისათვის ბრძოლისაკენ ბრიტ. იმპერიის ფარგლებში, რადიკალური ფრთა ბრძოლის მიზნად თვლიდა ინდოეთის დამოუკიდებლობის მიღწევას. იეკის ლაპორის სესიამ (1929) წამოაყენა სრული ს-ის (პურნა სვარაჯი) მიღწევის მოთხოვნა.

სვასტიკა (სანსკრ.), მკლავებმოხრილი ჯვარი, ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული ორნამენტული მოტივი, რ-იც მრავალი ხალხის ხელოვნებაში გვხვდება (იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, მცირე აზია, საბერძნეთი, რომი და სხვ.). არსებობს ოთხმხრიანი, სამმხრიანი (ე. წ. ტრიკვესტი) და მრავალმხრიანი ს-ები; ამასთან ს-ის მხრები კუთხოვანია ან მომრგვალებული (მომრგვალებულ მკლავებიან ს-ს ქართულად ბორჯღალას უწოდებენ). ცნობილია აგრეთვე ს-ებით შედგენილი რთული ორნამენტიც. ს-ს სხვადასხვა საკულტო და სიმბოლური მნიშვნელობა მიეწერებოდა. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ინდოეთში ს. ითვლებოდა მზის, ბრწყინვალებისა და ცეცხლის სიმბოლოდ, რ-იც ბედნიერებისა და კეთილდღეობის ცნებებთანაც იყო დაკავშირებული, ირანის ზეგნისა და მცირე აზიის უძველესი (ძვ. წ. VII—IV ათასწლ.) მიწათმოქმედი ტომები ს-ს ნაყოფიერების კულტთან აკავშირებდნენ და მას დაუსრულებელი მოძრაობისა და მზის მარადიული ბრუნვის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ძალიან პოპულარული იყო ს. ბერძნ.-რომაულ სამყაროში, საიდანაც იგი ქრისტ. ხელოვნებამ შეითვისა. ზოგჯერ მას „გამირებულ ჯვარსაც“ უწოდებდნენ. რამდენადაც ს-ს განიხილავდნენ როგორც ფიგურას, შედგენილს ბერძნ. ანბანის ოთხი „გ“-საგან (gamma).

საქართველოში ს-ის გამოსახულება გვხვდება ძვ.წ. IV ათასწლეულიდან (ს ა ბ ე ლ ე, კ ლ დ ე). ხშირია ს-ები თრიალეთის ყორღანული კულტურისა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელზე, კოლხური ცულების გრაფ. დეკორში, კოლხური კულტურისა და ანტ. ხანის ოქროს სამკაულის ორნამენტიკაში, ანტ. ხანის ლითონის ჭურჭელზე. ს-ის გამოსახულება გაჰყვა ქართ. ხელოვნებას მთელი შუასაუკ. მანძილზე და შემორჩა ეთნ. ყოფაში. ს., განსაკუთრებით კი მისი მრავალმკლავა ვარიანტი (ბორჯღალა), ქართ. დარბაზის, დედაბოძის, კერის ქვების, კიდობნებისა და სხვ. ნივთების კვეთილი ორნამენტის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ჩვენს დროში ს. ფაშისტური გერმანიის დროშის კომპოზიციის ძირითადი ელემენტი იყო და ძალადობისა და ბარბაროსობის სიმბოლოდ იქცა.

სვატოვო, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში, მდ. კრასნაიის (ჩრდ. დონეცის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური კუპიანსკ—როდაკოვოს ხაზზე. არის ავტოშემკეთებელი, ამწევსატრანსპ. და სავაჭრო მო-

წყობილობის, ზეთის საექსტრაქციო და სხვა ქ-ნები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სვატოპლუკი ტ. (Svatopluk T.) (ნამდვ. სახელი და გვარია სვატოპლუკ ტურეკი, Turek) (25. X. 1900, ჰოდსლავიცე, — 30. XII. 1972, გოტვალდოვი), ჩეხი მწერალი. ჩეხოსლ. სრ დამს. ხელოვანი (1960). ჩეხოსლ. კომპარტიის წევრი 1924-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1925-იდან. რომანებში „ბოტოსტროი" (1933; ქართ. თარგმანი 1956), „წარმატების ანგელოზები" (1937) და სხვ. ასახა მუშათა შრომა კაპიტალ. საწარმოებში. ს-ის მნიშვნელოვანი რომანებია „უშეფოდ" (1953, ჩეხოსლ. სრ სახელმწ. პრემია, 1954), „კაცუნა" (1940), მოთხრობათა კრებ. „ბოროტსა და კეთილზე" (1939) და სხვ. აქვს აგრეთვე მრავალი პიესა და კინოსცენარი.

სვაჯინი არუთინ გრიგოლის ძე (22. X. 1831, კონსტანტინოპოლი, — 22. IV. 1874, იქვე), სომეხი მწერალი, რედაქტორობდა ჟურნ. „მელუს" („ფუტკარი"), რ-ის საშუალებითაც ავრცელებდა ნ. ჩერნიშევსკისა და მ. ნალბანდიანის რევ.-დემოკრ. იდეებს დას. სომხეთში. იბრძოდა თურქ. ფეოდ. დესპოტიზმის წინააღმდეგ, სომეხი ხალხის სოც. და ეროვნ. თავისუფლებისათვის. აქვს პუბლიც. და კრიტ. სტატიები, სატირული ნოველები და ვოდევილები. *ა. ბარატიანი.*

სვები, სვევები (ლათ. Suevi, Suebi), გერმანელი ტომების (სემნონები, ჰერმუნდურები, კვადები და სხვ.) კრებითი სახელი. ძვ. წ. I ს. — ახ. წ. II ს-ში ეკავათ მდ-ების ელბის, მაინის, ნეკარის, ზემო რაინის აღზები. პირველად აღწერა იულიუს კეისარმა. ს-მა არიოვისტუსის მეთაურობით ძვ. წ. 71 რაინი გადალახეს და გალიაში დამკვიდრებას შეეცადნენ. ძვ. წ. 58 ისინი იულიუს კეისარმა დაამარცხა. ტაციტუსის შემდეგ სახელწოდება „ს-ს" თანდათან ცვლის ცალკეული ტომების სახელწოდებები. ს-ს ხშირად ხმარობენ კვადების მაგივრად, რ-თაც V ს. დამდეგს ჩრდ.-დას. ესპანეთში დააარსეს „სვებების სამეფო". ს-ის, კერძოდ სემნონების, შთამომაცლები იყვნენ *ალემანები* (შვაბები).

სველსაფენი, სამკურნალო პროცედურა ავადმყოფურ პროცესზე ადგილობრივი ტემპერატურული ან მედიკამენტური ზემოქმედებისათვის. ს-თვის იყენებენ ცხელ ან ცივ წყალს, მცენარეთა წყლიან გამონაწვლილს ან სამკურნ. ნივთიერებათა ხსნარებს. ამ სითხეებში დასველებული დოლბანდის, სუფთა ტილოს ან სხვა ქსოვილის ნაჭერს, ან კიდევ ჰიგროსკოპულ ბამბას ადებენ სხეულის დაზიანებულ ნაწილზე.

სვემპი ლეო [დ. 7 (19). VII. 1897, ხუტორი ბარანუ, ახლანდ. ლატვ. სსრ], საბჭ. ფერმწერი. სსრკ სახ. მხატვარი (1963), სწავლობდა მოსკ. უმაღლეს სამხატვრო ტექ. სახელოსნოებში (1918) ი. მაშკოვთან. პედ. მოღვაწეობას ეწევა ლატვ. სსრ სამხატვრო აკადემიაში, რიგაში (1940—41, 1944—52 და 1954-იდან; 1947-იდან პროფესორი, 1961-იდან რექტორი). ლატვ. სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავ-რე (1965—68). ს-ის ნატურმორტებსა და პეიზაჟებს ახასიათებთ მაჟორული განწყობილება, ღია, კონტრასტულ ფერთა სიუხვე („ძველი რიგა", 1927; „ნატურმორტი გაზეთით", 1967 — ორივე ლატვ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, რიგა). ლატვ. სსრ სახელმწ. პრემია (1957). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სვენეთი, სოფელი გორის რ-ნში (ბერბუკის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ტორტლის (მეჯუდის შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 640 *მ*, გორიდან 7 *კმ*. ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. სამ. სკოლა, ბ-კა.

სვერდლინი ლევ ნაუმის ძე [3 (16). XI. 1901, ასტრახანი, — 29. VIII. 1969, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1954). სწავლობდა ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ტექნიკუმში. 1926-იდან მუშაობდა მეიერხოლდის სახ. თეატრ. დასში, 1938—41 — ვახტანგოვის სახ. თეატრში. 1943-იდან იყო მოსკ. მაიაკოვსკის სახ. თეატრის მსახიობი. საუკეთესო როლები: სტეპანოვი (ალიოშინის „დირექტორი"), ილია ჟურბინი (კოჩეტოვისა და კარას „ჟურბინები"), სჩასტლივცევი, ტიხონი (ოსტროვსკის „ტყე", „ჭექა-ქუხილი"), პოლონიუსი (შექსპირის „ჰამლეტი"), აზდაკი (ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე"). კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: პოლკოვნიკი უსიჟიმა („ვოლოჩაევკის დღეები", 1937), სუხე-ბატორი („მას ჰქვია სუხე-ბატორი", 1942), ნასრედინი („ნასრედინი ბუხარაში", 1943), ვალკო („ახალგაზრდა გვარდია", 1948), ალიტეტი („ალიტეტი მიდის მთებში", 1950) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947, 1949, 1951). დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით.

სვერდლოვი იაკობ მიხეილის ძე (პარტ. ფსევდ. ანდრეი, მაქსი და სხვ.) [22. V (3. VI). 1885, ნიჟნი-ნოვგოროდი, ახლანდ. გორკი, — 16. III. 1919, მოსკოვი], კომუნისტური პარტიისა და საბჭ. სახელმწიფო მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1901-იდან. პროფესიონალი რევოლუციონერი. ჩაბმული იყო რევ. მუშაობაში ნიჟნი-ნოვგოროდში, კოსტრომაში, იაროსლავლში, ყაზანში და სხვ. არაერთხელ დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1904 რსდმპ ჩრდილოეთის კომიტეტის გადაწყვეტილებით მუშაობდა არალეგალურად. 1905 რსდმპ ცკ-მა გაგზავნა ურალის პარტ. ორგანიზაციის გასამტკიცებლად. 1905 დეკ. სათავეში ჩაუდგა რსდმპ ეკატერინბურგის (1924-იდან სვერდლოვსკი) კომიტეტს. 1906 იანვ. დიდი მუშაობა გასწია პოლიციის მიერ განადგურებული პერმის პარტორგანიზაციის აღსადგენად. 1906 თებ. ხელმძღვანელობდა ეკატერინბურგში ურალის II საოლქო კონფერენციას, სადაც აირჩიეს რსდმპ საოლქო კომიტეტის წევრად. 1906 ივნ. დააპატიმრეს, 1907 მიუსაჯეს 2 წლის პატიმრობა. 1909 რსდმპ ცკ-მა გაგზავნა მოსკ. პარტორგანიზაციის აღსადგენად. დეკ-ში დააპატიმრეს, 1910 გადაასახლეს ნარიმის მხარეში, საიდანაც მალე გაიქცა. როგორც რსდმპ ცკ-ის რწმუნებული მუშაობდა პეტერბ. პარტორგანიზაციაში, მონაწილეობდა გაზ. „ზვეზდის" გამოცემების მომზადებაში. 1910 კვლავ დააპატიმრეს და 1911 ისევ ნარიმში გადაასახლეს, სადაც მისი ინიციატივით შეიქმნა გადასახლებულთა შორის პარტ. მუშაობის ხელმძღვანელობის ცენტრ. ბიურო. რსდმპ სრულიად რუს. VI (პრაღის) კონფერენციის (1912) შემდეგ დაუსწრებლად (კოოპტაციის წესით) შეიყვანეს ცკ-ში და რსდმპ ცკ-ის რუს. ბიუროში. 1912 გაიქცა გადასახლებიდან; 1913 დააპატიმრეს, გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში, სადაც განაგრძობდა რევ. მოღვაწეობას. 1917 თებ. რევ. შემდეგ პეტროგრადში ჩავიდა. რსდმპ (ბ) სრულიად რუს. VII (აპრილის) კონფერენციაზე აირჩიეს ცკ-ის წევრად, კონფერენციის შემდეგ — ცკ-ის მდივნად. ს-ს მუდმივი კავშირი ჰქონდა იატაკქვეშ მყოფ ვ. ი. ლენინთან, თავ-რეობდა რსდმპ (ბ) ცკ-ის 1917 წ. 10 (23) და 16 (29) ოქტ. სხდომებს, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ს. აირჩიეს აჯანყების ხელმძღვ. სამხ. რევ. ცენტრის წევრად.

1917 წ. 8(21) ნოემბ. ვ. ი. ლენინის წინადადებით ს. აირჩიეს სრულიად რუს. ცაკის თავ-რედ, ერთდროულად მუშაობდა რსდმპ (ბ) ცკ-ის მდივნად. იყო რსფსრ I კონსტ. შემმუშავებელი კომისიის წევრი. პარტიის VII ყრილობაზე კვლავ აირჩიეს რკპ (ბ) ცკ-ის წევრად. 1918 მისი ინიციატივით შეიქმნა სრულიად რუს. ცაკთან არსებული აგიტატორებისა და ინსტრუქტორების სკოლა (1919 ივლ. გადაკეთდა სვერდლოვის სახ. კომუნისტურ უნ-ტად). მონაწილეობდა კომინტერნის I კონგრესის მომზადებაში, უკრ. კპ (ბ) III ყრილობისა და სრულიად უკრ. საბჭოების III ყრილობის მუშაობაში (1919).

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ს-ის მოღვაწეობას საბჭ. სახელმწიფოს ან. აპარატის შექმნის საქმეში.

თხზ.: Избр. произв., т. 1—3, М., 1957—60.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის საგანგებო სხდომაზე 1919 წ. 18 მარტს, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29; Свердлова К. Т., Я. М. Свердлов. [Воспоминания], 2 изд., [М.], 1960.


სვერდლოვსკი (1924-მდე ეკატერინბურგი; სახელი გადაერქვა ი. *სვერდლოვის* პატივსაცემად), ქალაქი, რსფსრ სვერდლოვსკის ოლქის ცენტრი. მდებარეობს შუა ურალის აღმ. კალთაზე, მდ. ისეტის (ტობოლის შენაკადი) ორივე ნაპირას. დიდი სატრანსპ. კვანძი. 2 აეროპორტი. სსრკ მნიშვნელოვანი სამრეწვ., კულტ. და სამეცნ. ცენტრი. 1269 ათ. მცხ. (1983). დაარსდა 1723 წ. 7 (18) ნოემბ. ეწოდა ეკატერინბურგი (იმპ. ეკატერინე I-ის პატივსაცემად). XVIII ს-იდან გახდა ურალის სამთო-საქარხნო მრეწვ. ცენტრი. 1878 რკინიგზით შეუერთდა ქ. პერმს. XIX ს.—XX ს. დამდეგს რევ. მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრია. 1887 აქ აღმოცენდა *მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი*; 1903 შეიქმნა რსდმპ შუა ურალის კომიტეტი. 1905, 1906, 1917 წ-ში აქ პარტ. მუშაობას ეწეოდა ი. სვერდლოვი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.), 1918 წ. 25 ივლ. ქალაქი დაიპყრეს ჯერ თეთრმა ჩეხებმა (იხ. *ჩეხსლოვაკთა კორპუსის ამბოხება 1918*), შემდეგ თეთრგვარდიელებმა. განთავისუფლდა 1919 წ. 14—15 ივლ. ქალაქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1973).

ს-ში არის მძიმე მანქანათმშ., ქიმ. მანქანათმშ., ტურბობრავას, მეტალ., პლასტმასის, ქიმ. რეაქტივების, რეზინტექ. ნაწარმთა, სამედ. პრეპარატების, ანტიბიოტიკების ქ-ნები, ფეხსაცმლის მრეწვ. საწარმოები, კამვოლის კომბინატი, სელის სართავ-საქსოვი, საკონდიტრო ფ-კები, ავეჯის ფირმა, ხორც- და საფქვავკომბინატები, საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები, ქ-ნა „რუსსკიე სამოცვეტი", საიუველირო ქ-ნა.


ქალაქი განაშენიანებულია ისეტის ნაპირებსა და ისეტ-პიშმის შუამდინარეთში. მდ-ები ქალაქის ფარგლებში რამდენიმე ადგილას დაგუბებულია კაშხლებით და შექმნილია წყალსატევების გაბმული რიგი. ს-ის დაგეგმარებას საფუძვლად უდევს XVIII ს. ურალის ქარხანა-ციხესიმაგრის რეგულარული სქემა და 1804, 1829, 1845 გენ. გეგმები. შემონახულია კლასიციზმის სტილის შენობები, მ. შ. სამთო კანცელარია (1737—39; გადაკეთებულია 1833 — 35 მ. მალახოვის პროექტით), რასტორგუევ-ხარიტონოვის სახლი (ახლა პიონერთა სასახლე; 1794—1824, არქიტ. მ. მალახოვი). ს-ის მთავარი მაგისტრალია ვ. ი. ლენინის პროსპექტი. ბევრია კონსტრუქტივიზმის სტილის შენობა: „კანტორების სახლი" (1930, არქიტ. ვ. სმირნოვი), საცხოვრ. კომპლექსი



ლ. სვერდლინი.




ლ. სვერდლინი პოლონიუსის როლში (შექსპირის „ჰამლეტი").




ი. სვერდლოვი.

სვერდლოვსკი. ზემო ისეტის მეტალურგიული ქარხანა.




სვერდლოვსკის ოლქი



1 ბაშკირეთის ასსრ

„ჩეკისტის ქალაქი“ (1931, არქიტ. ი. ანტონოვი და სხვ.) და სხვ. 1920—30-იან წლებში ახ. ქარხნებთან აშენდა საცხოვრ. რ-ნები („ურალმაშის“ სპეციქალაქი, 1929—40, არქიტ. პ. ორანსკი, მ. რუიმერი). ახ. გენ. გეგმით (1972, არქიტ. კ. უზკიხი და სხვ.) ქალაქი შენდება მდ. ისეტის გასწვრივ. აშენდა კინო-საკონცერტო დარბაზი „კოსმოსი“ (1967), სასტუმრო „სვერდლოვსკი“ (1969), ახალგაზრდობის სასახლე (1973) და სხვ. ქალაქში არის ბევრი ძეგლი, მ. შ. ი. სვერდლოვის (1927), გ. ორჯონიკიძის (1955), ვ. ი. ლენინისა (1957) და სხვ.

სვეტიცხოველი. ვაზის გამოსახულება სამხრეთის ფასადზე. 1010—1029.



ს-ში არის 13 უმაღლესი სასწავლებელი (მ. შ. უნ-ტი, პოლიტექ., რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ელექტრომექან., სას.-სამ., სატყეოტექ., იურიდ., არქიტ., სამედ., პედ., სამთო და სხვა ინ-ტები), სსრკ მეცნ. აკად. ურალის სამეცნ. ცენტრი, 6 მუზეუმი (მხარეთმცოდნეობის, ლიტ-რის, ხურათების გალერეა, გეოლ., ი. სვერდლოვის მემორიალური, პ. ბაჟოვის სახლ-მუზეუმი), 5 თეატრი, ფილარმონია, კონსერვ., ურალის სახ. გუნდი, სამუსიკო სასწავლებელი.

სვერდლოვსკი, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში. სვერდლოვსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზიდან (სადგ. დოლჟანსკაია) 5 *კმ*. 79 ათ. მცხ. (1983). იღებენ ქვანახშირს, არის 3 მამდიდრებელი ფ-კა, მაღაროს მოწყობილობის შემკეთებელი, სამრეწვ. საქონლის, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები. მსუბუქი და კვების მრეწვ. საწარმოები.

სვერდლოვსკის ოლქი, რსფსრ შემადგენლობაშია. შეიქმნა 1934 წ. 17 იანვ. ფართ. 194,8 ათ. *კმ*². მოსახლ. 4557 ათ. (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 86%. ცენტრი — ქ. სვერდლოვსკი. უმთავრესად მდებარეობს შუა ურალის, ნაწილობრივ — ჩრდ. ურალის აღმ. კალთებსა და დას. ციმბ. ვაკის მომიჯნავე ტერიტორიაზე (ურალხსიქეთი). მოიპოვება რკინისა და სპილენძის მადანი, ქვანახშირი, აზბესტი, ტალკი, მარმარილო, ოქრო, პლატინა, ბვირფასი და სანაკეთო ქვები. მთავარი მდ-ებია: ტავდა, ტურა, ისეტი, ჩუსოვაია, უფა. ოლქის უმეტესი ნაწილი ტყის ზონაშია.

ს. ო. სსრკ ერთ-ერთი ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებული ოლქია. სახ. მეურნ. პროდუქციის უმეტეს ნაწილს მძიმე ინდუსტრია იძლევა. მრეწვ. ძირითადი დარგებია მეტალ. (შავი და ფერადი), მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, ქიმ., საშენ მასალათა და ხე-ტყის მრეწველობა. უდიდესი ენერგოკვანძებია სვერდლოვსკის რ-ნში, აგრეთვე ნიჟნი-ტაგილში და მის მახლობლად. მსუბუქი და კვების მრეწვ. დარგებიდან განვითარებულია სამკერვალო-სატრიკოტაჟო, ტყავ-ფეხსაცმლის, საფქვავი, პურის საცხობი, საკონდიტრო, ხორცის, კარაქ-ცხიმეულის და სხვ. ს. ო-თვის დამახასიათებელია საგარეუბნო ტიპის სოფ. მეურნეობა; სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. რ-ნებში განვითარებულია მეცხოველეობა-მემარცვლეობა, ბოსტნეულისა და რბის პროდუქტების წარმოება. მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, კარტოფილი, ბოსტნეული, საკვები კულტურები. მეცხოველეობა სარძეო და სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. მისდევენ მეფრინველეობას.

ოლქი დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით (1959, 1970).

სვერდრუპის კუნძულები (Sverdrup Islands), კუნძულები კანადის არქტიკული არქიპელაგის ჩრდ. ნაწილში, დუდოფალ ელისაბედის კ-თა ჯგუფში. დიდი კ-ებია: აქსელ-ჰეიბერგი, ამუნდ-რინგნესი, ელეფ რინგნესი. ფართ. დაახლ. 75 ათ. *კმ*². კ. ელეფ-რინგნესზე არის მეტეოსადგური. სახელი ეწოდა პოლარეთის ნორვ. მკვლევარის ო. სვერდრუპის პატივსაცემად.

სვერი, სოფელი სამხრ. ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რ-ნში (ქემერტის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1080 *მ*, ცხინვალიდან 15 *კმ*. ქემერტის კოლ-ბა (მემინდვრეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. კეხვში (5 *კმ*). ბ-კა.

სვერი, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ჭიათურის პლატოზე, მდ. საძძლიხევის მარცხ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., თვალუეთი, ცხრუკეთი). ზ. დ. 560 *მ*, ჭიათურიდან 14 *კმ*. მანდაეთის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კაუშირგაბმ. განყ-ბა. სოფლის მახლობლად არის *სვერის ციხე* და *სვერის წმ. ეკლესია*.

სვერის წმინდა, კარსტული მღვიმე სოფ. სვერის (ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტ.) მიდამოებში, 690 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. მღვიმის წინა მონაკვეთი სუბჰორიზონტულია, ბოლო — საფეხურებიანი. ჯამური სიგრძეა 280 *მ*. გვხვდება სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კედლის ნაღვენთები, ნგრეული მასალა. *ზ. ტინტილოზოვი.*

სვერის ციხე, სვერის ციხე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დას. საქართველოში, იმერეთში, მდ. სვერისხევის მარცხ. ნაპირზე, ახლანდ. სოფ. სვერის (ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტ.) ჩრდ-ით. შემორჩენილია ნანგრევების სახით. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში, როცა იგი თურქ-სელჩუკებმა აიღეს (1068). ს. ც-ის აგების თარიღად მიიჩნევდნენ 735 (ვახუშტი ბაგრატიონი, XVIII ს.); მკვლევართა აზრით, იგი ადრინდ. ფეოდ. ხანის ციხეა. 1590 ს. ც. ქართლის მეფემ — სიმონ I-მა დაიკავა. 1661 იმერეთში ლაშქრობის დროს, ქართლის მეფემ — ვახტანგ V-მ აიღო და აბაშიძეთა ფეოდ. სახლს გადასცა. 1744 იმერეთის მეფე — ალექსანდრე V დაეუფლა. 2 წლის შემდეგ აბაშიძეებმა დაიბრუნეს. ხრესილის ბრძოლის (1757) შემდეგ ემორჩილებოდა იმერეთის სამეფო ხელისუფლებას. 1763 ოსმალებმა აიღეს და დაანგრიეს. შემდგომ წლებში ს. ც. აღადგინეს. იმერეთის აჯანყების

(1810) დროს რუს. ჯარმა დაიკავა. ამის შემდეგ ს. ც-მ დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ცქიტიშვილი გ., სვერის ციხე. «ძეგლის მეგობარი», 1970, № 21.

სვეტი, კოლონა, მრგვალი კვეთის საყრდენი ბოძი, რ-ზედაც დაყრდნობილია ანტაბლემენტი ან თაღის ქუსლი. შედგება სვეტის ტანის, სვეტის თავისა და ბაზისისაგან (იხ. *კოლონა*).

სვეტისთავი, კაპიტელი, სვეტის, კედლის სვეტის ან ბოძის დამაგვირგვინებელი ნაწილი (იხ. *კაპიტელი*).

სვეტიცხოველი, XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, საპატრიარქო ტაძარი. მდებარეობს თბილისიდან 20 *კმ*-ზე, მცხეთაში. ს. ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის. იგი საუკუნეთა მანძილზე ქრისტ. საქართველოს სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ IV ს-ში გაქრისტიანებულ მირიან მეფეს წმ. ნინოს რჩევით აქ პირველი ეკლესია აუშენებია, რ-საც დღემდე არ მოუღწევია. 1970—71 წწ. სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარების დროს (ხელმძღვ. არქიტ. ვ. ცინცაძე) მიკვლეულ იქნა მისი საძირკვლის კვალი; ასევე მთლიანად შემოიხაზა იმ ბაზილიკის გეგმა, რ-იც აქვე ააშენა, წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა V ს. II ნახევარში. XI ს-ში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა ახ. ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკისძე მიიწვია. მშენებლობა 1010 დაიწყო და 1029 დამთავრდა. ს-ის ტაძარი გეგმით აღმ-იდან დას-კენ ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხედია. ჯერის სახე სივრცეშია შექმნილი გუმბათის ოთხივე მხარეს გაწვდილი 4 მკლავით. მკლავები სწორკუთხაა, გარდა აღმოსავლეთის მკლავისა, რ-იც საკურთხევლის აფსიდით არის დაბოლოებული. საკურთხევლის სამხრ-ითა და ჩრდ-ით 2 სართულად განლაგებულია სათავსები. გუმბათი 4 მძლავრ ბოძს ეყრდნობს, გუმბათის ყელში 16 სარკმელია. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარმა მრავალი ცვლილება განიცადა, ძვ. ფრესკების დიდი ნაწილი დაიღუპა, ხოლო კედლების შეთეთრებამ ინტერიერს გამოაკლო მისი მხატვრული მთლიანობისათვის აუცილებელი სხვა ორგანული ელემენტებიც, იგი დღესაც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძრის გარეგანი ფორმებისა და მასების განაწილება, პროპორციები ექვემდებარება შუაში აღმართულ მაღალ გუმბათს, რ-ის ქვეშაც ორფერდა სახურავებით გადახურული ჯვრის მკლავებია, ხოლო მკლავებს შორის დაბალი ცალფერდა სახურავებით გადახურული სადგომები. ფასადების ჩორთულობაში ძირითადად გამოყენებულია კედლის დეკორ. თაღედებისა და შეწყვილებული პილასტრების განვითარებული სისტემა, აგრეთვე სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები. ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია (მოაღწია მხოლოდ ნაწილმა). ტაძრის დეკორ. მორთულობაში დიდი ადგილი უჭირავს რელიეფსაც. აღსანიშნავია აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა, რ-ის საფუძველსაც 5 დეკორ. თაღისაგან შეკრული სისტემა წარმოადგენს. თაღებში ჩართულია მაღალი სამკუთხა ნიშები, ხოლო შუა მაღალი თაღის შიდა სიბრტყეზე, მარაოსებრ გაშლილი სხივების ბოლოებში, მოთავსებულია დისკოები ერთ-ერთი სამშენებლო წარწერით. ოსტატურად არის გამოყენებული პოლიქრომული ეფექტიც. ძირითადი ქვიშისფერი კედლების ფონზე გამოიყოფა საკურთხევლის სარკმლის კამკამა წითელი ფერის ქვით აწყობილი მოჩუქურთმებული საპირე, რ-იც ზემოდან გამოყოფილია მდიდრულად მორთული ჰორიზ. სარტყლით.

გვერდის ფასადების შუა ნაწილებშიც მთავარია მზარდი თაღების რიტმი. დასავლეთის ფასადზე ერთი დიდი სარკმელია, რ-ის მდიდრულ მორთულობას კედლის მთელი არე უჭირავს. ფასადის კომპოზიცია დასრულებულია სამფიგურიანი რელიეფით — ტახტზე მჯდომი მაცხოვარი და 2 ანგელოზი აქეთ-იქით. ს. განვითარებული შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელი ძეგლია. ს-ის ძვ. კედლის მხატვრობა არ გადარჩენილა. ახლანდ. მოხატულობა XVI, XVII და შესაძლოა XVIII ს-ისაც იყოს; განახლებულია XIX ს-ში. უფრო საინტერესოა ტაძრის შიგნით, საკუთრივ „სვეტის" (კოშკისებური ნაგებობის) XVII ს. მიწურულს მხატვრობა, რ-შიც ქართლის მოქცევის ეპიზოდებია გადმოცემული (მოხატვის ხელმძღვ. მხატვარი გრიგოლ გულჯავარასშვილი, მოთავე—ნიკოლოზ კათალიკოსი). გარედანაც ბევრი რამ არის შეცვლილი: გუმბათის ყელი და ფასადთა პერანგის ნაწილი (რ-იც მწვანე ქვით არის მოპირკეთებული) XV ს. I ნახ. მიეკუთვნება (რესტავრირებულია *ალექსანდრე I* დიდის მიერ თემურლენგის შემოსევათა დროს ტაძრის ძლიერი დაზიანების შემდეგ), ზოგი რელიეფური გამოსახულება გადაადგილებულია, არის XVII ს. ჩანართებიც, მაგრამ ამ რესტავრაციებს არ დაურღვევია შენობის ძირითადი ფორმები და პროპორციები.


ტაძარი გარშემორტყმულია გალავნით, რ-იც გეგმით კვადრატს უახლოვდება. გალავანი 1787 აუგიათ ერეკლე II-ის ბრძანებით (ამის შესახებ ნათქვამია სამხრ. შესასვლელის თავზე ამოკვეთილ მხედრულ წარწერებში). ყორე ქვით ნაგები ძვ. ნაწილები ჩართულია ახალ, რიყის ქვით ნაგებ გალავანში. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია აგური. ორიარუსიანი გალავნის ქვედა ნაწილი ყრუა. ზედა ნაწილს გასდევს საბრძოლო ბილიკი, რ-ის დონეზედაც სათოფურები და სალოდეებია განლაგებული. გალავანს ერთნაირი სიმაღლის 6 ცილინდრული და 2 ოთხკუთხა კოშკი აქვს. შესასვლელი ჭიშკარი სამხრ. კედელშია, ხოლო დას. მხარეს სამრეკლო და XI ს. კარიბჭეა — მაშინდელი ქართ. საერო არქიტ. შესანიშნავი ნიმუში. 1964—65 რესტავრაციის შემდეგ კარიბჭეს პირვანდელი სახე დაუბრუნდა (არქიტ. ნ. ჩუბინაშვილისა და ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით; მთავარი კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი). გალავნის კედლის სამხრ.-დას. ნაწილის ქვეშ 1963—64 არქეოლ. გათხრების შედეგად გამოვლინდა მელქისედეკ კათალიკოსის სასახლის ნაშთი (XI ს.). ტაძრის ეზოში, გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში, ანტონ II კათალიკოსის ორსართულიანი სასახლეა (XVIII ს. დასასრ.). იგი მთლიანად გადაკეთებულია (ამჟამად მცხეთის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი).

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; ჩუბინაშვილი გ., ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი, კრ.: არილი, ტფ., 1925; Гвердцители Р., Мцхета, Тб., 1962.

ვ. ბერიძე.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 560.

სვეტლანოვი ევგენი თედორეს ძე (დ. 6. IX. 1928, მოსკოვი), საბჭ. კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი. სსრკ სახ. არტისტი (1968). 1951 დაამთავრა გნესინების სახ. მუს.-პედ. ინ-ტი (მ. გნესინის საკომპოზიციო და მ. გურვიჩის საფორტეპიანო კლასები), 1955 — მოსკ. კონსერვატორია (ი. შაპორინის საკომპოზიციო და ა. გაუკის სადირიჟორო კლასები). ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იყო საკავშ. რადიოს დიდი სიმფ.-ორკესტრის დირიჟორ-ასისტენტი (1954). 1955-იდან სსრკ დიდი თეატრის დირიჟორი, 1963—65 მთავარი დირიჟორი. 1965-იდან სსრკ სახელმწ. სიმფ. ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ს. რუს. მუსიკის გამოჩენილი ინტერპრეტატორია. გასტროლებს მართავს საზღვარგარეთის ქვეყნებში. ლენინური პრემია (1972) საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის, სსრკ სახელმწ. პრემია (1980), „გრან პრი" (საფრანგეთი) ჩაიკოვსკის ყველა სიმფონიის ჩანაწერისათვის; დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. აგრეთვე ბულგ. კირილესა და მეთოდეს I ხარისხის ორდენით.



სვეტიცხოველი. დასავლეთის სარკმლის მორთულობა. დეტალი. 1010—1029.

სვეტლოგორსკი, ქალაქი (1961-მდე დაბა შატილკი) ბელორ. სსრ გომელის ოლქში, მდ. ბერეზინის ნაპირზე. სვეტლოგორსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. 62 ათ. მცხ. (1983). არის ხელოვნური ბოჭკოს, რკინაბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციების, ყველ-კარაქის, პურის ქ-ნები, ცელულოზა-მუყაოს, სახლთსაშენებელი კომბინატები და სხვ. ინდუსტრ. ტექნიკუმი.

სვეტლოგორსკი (1947-მდე რაუშენი), ქალაქი რსფსრ კალინინგრადის ოლქში. რკინიგზის სადგური, კალინინგრადიდან 38 *კმ*. ბალტიის ზღვის შედარებით მაღალ ნაპირზე (40—60 *მ*). ზღვისპირა კლიმ. კურორტი.



ვ. სვეტლანოვი.


სვეტლოგრადი (1965-მდე სოფ. პეტროვსკოე), ქალაქი რსფსრ სტავროპოლის მხარეში, მდ. კალაუსის (მდ. აღმ. მანიჩის შენაკადი) ნაპირზე. პეტროვსკოეს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური კავკაზსკაია—ელისტის ხაზზე. არის საფეიქრო-საგალანტერეო ფ-კა, კვების, ხორცდა ფრინველკომბინატები, ყველ-კარაქის, ღვინის ქ-ნები, საშენ მასალათა, რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები. პედ. და კულტ.-საგანმან. სასწავლებლები.

ვ. სვეტლოვი.

სვეტლოვი მიხეილ არკადის ძე [4 (17). VI. 1903, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი, — 28. IX. 1964, მოსკოვი], რუსი საბჭ. პოეტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1917. მისი პირველი პოეტური კრებულებია „რელსები" (1923), „ლექსები" (1924), „ფესვები" (1925). ს-ის პოეტური ნიჭი სრულად გამოვლინდა სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილ ლექსებში „გრენადა" (1926), „დაზვერვაზე" (1927) და პოეტურ კრებულში „შეხვედრები ღამით" (1927). 30—40-იან წლებში ს-ის შეჩნეულებული შემოქმედებითი აქტივობა კვლავ გაცხოველდა 50-იანი წწ. II ნახევრიდან (კრებულები „ჰორიზონტი", 1959; „მონადირის სახლი", 1964). წიგნისათვის „ბოლოდროინდელი ლექსები" 1967 ლენინური პრემია მიენიჭა. ს-ს ეკუთვნის პოემები „ჟრუ პროვინცია" (დაიდგა 1935), „ზღაპარი" (1939), „ოცი წლის შემდეგ" (1940), „სხვისი ბედნიერება" (1952) და სხვ. დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.




ნ. სვეტლოვიდოვი.



სვეტური ბურღვა. კერნის სვეტური ბურღვის ბერხით ამობურღვის სქემა: 1—საბურღი გვირგვინი; 2—კერნი; 3—სვეტური მილი; 4—გადაშყვანი; 5 — საბურღი მილების კოლონა.



ა. სვეშნიკოვი.



სვია.

თხზ.: Избр. произведения, т. 1—2, М., 1965.

სვეტლოვიდოვი (ნამდვ. გვარი სედიხი) ნიკოლოზ ათანასეს ძე [5 (17). XII. 1869, კურსკი, — 20. XI. 1970, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1965). სკკპ წევრი 1943-იდან. 1909 სწავლობდა მ. მედვედევის სახ. საოპერო-დრამ. სტუდიაში, შემდეგ მუშაობდა ნ. სოლოვცევის თეატრის დასში, ორენბურგის, ირკუტსკის, პენზის, ტაშკენტის, კიევის, ხარკოვის, დონის როსტოვის თეატრებში, 1933-იდან — მცირე თეატრში. საუკეთესო როლები: დოლგონოსიკი, კრიმი (კორნეიჩუკის „უკრაინის სტეპებში", „ძაბველის ჭალა"), მურზავეცკი, ლინიაევი (ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები"), ბობჩინსკი (გოგოლის „რევიზორი"), რეპეტილოვი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), კონსული (მდივნის „კონსული მოიპარეს") და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1942, 1949). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სვეტლოვოდსკი, ქალაქი (1961-იდან) უკრ. სსრ კიროვოგრადის ოლქში, ნავმისადგომი კრემენჩუგის წყალსაცავის ნაპირზე. სვეტლოვოდსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. პავლიშიდან 25 *კმ*. 51 ათ. მცხ. (1982). კრემენჩუგის ჰესი. ფერადი მეტალ. საწარმოები, საწარმოო გაერთიანება „დნეპროენერგოსტროიინდუსტრია", საშენ მასალათა წარმოება, ავეჯის ფ-კა და სხვ. ხარკოვის რადიოელექტრონიკის ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი.

სვეტმაღალი, სოფელი ზესტაფონის რ-ნში (როდინაულის სოფსაბჭო), მდ. ლუხუტის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 130 *მ*, ზესტაფონიდან 19 *კმ*, სვირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. როდინაულის მეცხოველეობის საბჭ. მეურნ.-კომპლექსი. საშ. სკოლა სოფ. ახალ სვირში (2 *კმ*).

სვეტნარი, კოლონადა, საერთო არქიტრავის ქვეშ განლაგებული სვეტების რიგი (იხ. *კოლონადა*).

სვეტონიუსი გაიუს ტრანკვილუს (Gaius Suetonius Tranquillus) (დაახლ. 70—122-ის შემდეგ), რომაელი ისტორიკოსი, მწერალი, იურისტი, წარმოშობით მხედართა წოდებიდან. მდივნად იყო იმპ. ადრიანეს კარზე (119—122), რამაც საიმპერატორო არქივებში მუშაობის საშუალება მისცა. მრავალრიცხოვანი ისტ. და ფილოლ. შრომებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა შრომამ — „თორმეტი კეისრის ცხოვრება" (8 წიგნად) და „გრამატიკოსთა და რიტორთა შესახებ" (მცირე ნაწილი). პირველი მოიცავს რომის იმპერატორთა ცხოვრებას იულიუს კეისრიდან დომიციანემდე. ყველა იმპერატორი წარმოდგენილია დაწვრილებითი ბიოგრაფიით (წარმომავლობა, ყრმობა, ახალგაზრდობა, ზეობის წლები, საშინაო და საგარეო მოღვაწეობა, პირადი თვისებები, ვარეგნობა, ცოფითი ჩვევები, სიკვდილის გარემოებანი და სხვ.). ავტორს არც ერთი მოელენა არა აქვს ახსნილი საისტ. კანონზომიერებით, რეალური მიზეზებითა და ფსიქოლ. მოტივებით. იგი კმაყოფილდება მხოლოდ მშრალი, დაწვრილებითი ფაქტოლოგიით. მეცნ. ინტერესს იწვევს შრომის ის ადგილები, სადაც წარმოდგენილია წერილები, სიტყვები, რესკრიპტები და დოკუმენტური მასალა. ავტორის ტენდენციაა ცალ-ცალკე გამოარჩიოს „კეთილი" და „ტირანი" ხელისუფალნი. იდეალურ იმპერატორებად წარმოდგენილი ჰყავს ავგუსტუსი და ტიტუს ფლავიუსი. ს-ის თხზულებანი თავიდანვე პოპულარული გახდა საინტერესო, ნათელი სტილის წყალობით.

თხზ.: Жизнь двенадцати цезарей, М., 1966.

ლიტ.: Steidle W., Sueton und die antike Biographie, 2. Aufl., München., 1963.

სვეტური ბურღვა, ბრუნვითი ბურღვა, რ-ის დროს ქანები ირღვევა არა სანგრევის მთელ ფართობზე, არამედ რგოლურად. ს. ბ-ის დროს რგოლური გვირგვინა, რ-ის ქვედა მუშა ტორსში ჩასმულია ალმასები ან სალი შენადნობის ფირფიტები, სათანადო დაწოლით ამობურღავს რგოლურ სივრცეს, რ-ის შიგნით რჩება ქანის დაუშლელი სვეტი — კერნი (იხ. ნახ.). ჭაბურღილის სანგრევის ჩალრმავებასთან ერთად კერნი შედის სვეტურ მილში. ნაბურღი ქანის ნაწილაკები მიწის ზედაპირზე ამოაქვს საბურღი მილების ჰოლონით ჭაბურღილში ჩატუმბულ სარეცხ სითხეს. როდესაც სვეტური მილი კერნით გაივსება, კერნს სანგრევიდან მოგლეჯენ და საბურღ ინსტრუმენტთან ერთად ზედაპირზე ამოიტანენ.

ს. ბ-ს იყენებენ მყარი სასარგებლო წიაღისეულის დასაზვერავად, აგრეთვე საინჟინრო-გეოლ. და ჰიდროგეოლ. გამოკვლევებისათვის. *ნ. აბესაძე.*

სვეტლარი, მწვერვალი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განტოტების — ღვალდის ქედზე, მდ-ების ტვიბერისა და მესტიაჭალის წყალგამყოფზე. სიმაღლე 4118 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. ციცაბოა, შიშველ-კლდოვანი, ძირში მყინვარია. *დ. ტაბიძე.*

სვეშნიკოვი ალექსანდრე ვასილის ძე [30. VIII (11. IX). 1890, კოლომნა,— 3. I. 1980, მოსკოვი], საბჭ. საგუნდო დირიჟორი და მუსიკის მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1956), სოციალ. შრომის გმირი (1970). სკკპ წევრი 1950-იდან. სწავლობდა მოსკ. სახ. კონსერვატორიაში. 1913 დაამთავრა მოსკ. სინოდალური სასწავლებელი. 1928—36 ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ საკავშ. რადიოს ეოკალურ ანსამბლს (შემდგომში გუნდი). 1937 — 41 ლენინგრ. აკად. კაპელის, 1942-იდან სსრკ რუს. სიმღერის სახელმწ. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1944 დააარსა და ხელმძღვანელობდა მოსკ. საგუნდო სასწავლებელს. 1944-იდან მოსკ. კონსერვ. პედაგოგი (1946-იდან პროფესორი, 1948—75 რექტორი). დააარსა და ხელმძღვანელობდა (1964-მდე) სრულიად რუს. საგუნდო საზ-ბას. ს. საბჭ. საგუნდო ხელოვნ. თვალსაჩინო წარმომადგენელია. სსრკ სახელმწ. პრემია (1946) და რუსთა გლინკას სახ. სახელმწ. პრემია (1967). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

სვია (Huso huso), თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 9 *მ*, მასა 1,5 ტ აღწევს. აქვს უზარმაზარი, ნახევარმთვარისებური პირი და ერთმანეთთან შეზრდილი ლაყუჩის აპკები. ს. ბინადრობს კასპიის, შავ, აზოვისა და ადრიატიკის ზღვებში. საქართველოში შავი ზღვის სანაპიროებთან ყველგან გვხვდება. გამსვლელი თევზია, გასამრავლებლად მდ-ებში შედის. იკვებება თევზით. ს-ის ქვირითისაგან მარცვლოვან ხიზილალას ამზადებენ. ს-ის რაოდენობა თანდათან მცირდება, რის გამოც ტარდება ღონისძიებები მისი მარაგის აღსადგენად.

მ. დემეტრაშვილი.

სვია (Humulus). ერთ- და მრავალწლოვან ორსახლიან ხვიარა მცენარეთა გვარი თუთისებრთა ოჯახისა. გვარში 4 სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია ზომიერი სარტყლის ქვეყნებში. სსრკ-ში გვხვდება 2 სახეობა, საქართველოში — 1 — ჩვეულებრივი ს. (H. lupulus). იგი მრავალწლოვანია და 10 *მ*-მდე ხვიარა წახნაგოვანი ღერო აქვს. მდედრობითი გირჩისებრი ყვავილედი შეიცავს სურნელოვან ნივთიერებას — ლუპულინს, მამრობითი საგველაა. ს. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტენიან ფოთლოვან ტყეებში და მდინარისპირა ტერასებზე. ფართოდაა გავრცელებული კულტურაში. უმეტესად ირჩევს დეგრადირებულ შავმიწა ნიადაგს. გირჩას იყენებენ ლუდის წარმოებაში, აგრეთვე მედიცინასა და კოსმეტიკაში. ღეროსაგან მიიღება უხეში ბოჭკო. მოსავალს იღებენ აგვ. ბოლოს — სექტ. დასაწყისში. გირჩას აშრობენ, გოგირდოვანი აირით შებრჭოლავენ და ტომრებში წნეხენ.

სვიანა-რუსტიანი, სოფელი დუშეთის რ-ნში (ქვეშეთის სოფსაბჭო), მთიულეთის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 1500 *მ*, დუშეთიდან 72 *კმ*. მლეთის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ქვეშეთში (6 *კმ*).

სვიატოვიტი, სვეტოვიტი, სვანტოვიტი, ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება დას.-სლავურ მითოლოგიაში. მისი მთავარი ტაძარი კ. რიუგენზე (სლავ. რუიანა), ქ. არკონაში იყო. ტაძარში იდგა ს-ის ოთხსახოვანი ქვის ქანდაკება ხელში მახვილითა და ხარის რქით. ღვთაების ატრიბუტები იყო უნაგირი, ალვირი და მახვილი. მას ყოველწლიურად მსხვერპლს სწირავდნენ. 1169 ტაძარი და ქანდაკება დანიელებმა გაანადგურეს.

სვიატოი-ნოსი, ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე მდებარე რამდენიმე კონცხის სახელწოდება: 1. ლაპტევების ზღვის სამხრ. ნაპირზე (იაკუტ. ასსრ, დიმიტრი ლაპტევის სრუტის შესასვლელთან); 2. ბარენცის ზღვის ტიმანის ნაპირზე (რსფსრ არხანგელსკის ოლქი); 3. კოლის ნ.-კ-ზე (ბარენცის ზღვის ნაპირი).

სვიატოპოლკი (გ. 894), დიდი მორავიის მთავარი (870—894). ლუდვიგ IV გერმანელისა და კარლ III-ის ვასალი. 890 მიაღწია დიდი მორავიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და გააფართოვა მისი საზღვრები. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ეყრდნობოდა სლავურ ეკლესიას, შემდეგ აღმ. ფრანკულ სამღვდელოებას მიემხრო. აკრძალა საეკლესიო სლავური, როგორც კულტის ენა.

სვიატოსლავ იგორის ძე (გ. 972 ახ 973), კიევის მთავარი, მხედართმთავარი. მისი მმართველობის დროს კიევის რუსეთმა დიდ წარმატებას მიაღწია; გაანადგურა ხაზართა სახაკანო X ს. 60-იან წლებში, ილაშქრა კამის ბულგართა და ჩრდ. კავკ. წინააღმდეგ. ბულგ. (968) შემდეგ წამოიწყო ლაშქრობა ბიზანტ. წინააღმდეგ. მაგრამ დამარცხდა, მოკლეს პაჭანიკებმა.

სვიდა (Suidas), ბიზანტიური ხანის ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონი. შედგენილია დაახლ. X ს-ში. მასში ახსნილია მრავალი ძვ. ბერძნ. სიტყვა და წარმოდგენილია სტატიები გეოგრ. პუნქტებისა და ძვ. მოღვაწეთა შესახებ. ლექსიკონის სახელწოდების მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

სვიდება, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში (ვარდისუბნის სოფსაბჭო), ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 210 *მ*, ლაგოდეხიდან 13 *კმ*. მ. გორკის სახ. ვარდისუბნის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მემინდვრეობა). საშ. სკოლა სოფ. ვარდისუბანში (1,5 *კმ*).

სვიდნიცა (Świdnica), ქალაქი პოლონეთში, ვალბჟიხის სავოევოდოში. 57,8 ათ. მცხ. (1981). მანქანათსაშ., ელექტროტექ., კვების, ტყავის, შალეულის, ხის დასამუშ. მრეწვ. საწარმოები. ცეცხლგამძლე მასალის წარმოება.

სვიდნიცკი ანატოლი პატრიკის ძე [1 (13). IX. 1834, სოფ. მანკოვცი, ახლანდ. ვინიცის ოლქი, — 16 (30). VII. 1871, კიევი], უკრაინელი მწერალი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1860. ს-ს ძირითადი ნაწარმოებია რომანი „ლიუბორაცკები" (1861—62, მთლიანად გამოქვეყნდა 1901), რ-მაც სათავე დაუდო სოც. რომანის ჩამოყალიბებას უკრ. ლიტ-რაში. წერდა ტ. შევჩენკოს ზეგავლენით აღბეჭდილ ლექსებს, აგრეთვე მოთხრობებს რუს. ენაზე.

სვიენტოხლოვიცე (Świętochłowice), ქალაქი პოლონეთში, კატოვიცეს სავოევოდოში, ზემო სილეზიის აგლომერაციაში. 59,9 ათ. მცხ. (1981). იღებენ ქვანახშირს. განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია, მძიმე მანქანათმშენებლობა.

სვიმეონი, საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე XII ს. I ნახევარში, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (1118–41), ბედიელ-ალავერდელი (1124-იდან). ეკუთვნოდა დავით აღმაშენებლის მომხრეთა დასს. შირვანის ამების შემდეგ მეფემ საქმეთა გამგებლად იქ ს. დატოვა.

წყარო: დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1955.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოში ფეოდალური საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 3, თბ., 1966; ლომინაძე ბ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII–XIII სს. საქართველოში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; მეტრეველი რ., დიდი საქმენი (XI ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1978.

რ. მეტრეველი.

სვიმეონ მეტაფრასტი, X–XI სს. ბიზანტიელი მწერალი (იხ. *სიმეონ მეტაფრასტი*).

სვიმონი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დაახლ. XII ს. II მეოთხედში, მისი მომდევნო კათალიკოს-პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძის, ბიძა. პატრიარქობამდე არმაზის წმ. საბას მონასტრის ბერი იყო. მოხსენიებულია ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში.

წყარო: გულაბერიძე ნ., საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, კრ.: საქართველოს სამოთხე, შეკრ. და გამოც. გ. საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882.

ბ. ლომინაძე.

სვიმონი, აღმ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1547–48. კახეთის მეფეს ლევანს 1548 სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლებინა გარეჯის უდაბნოების მამულები.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სვნიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

სვიმონი (გვარად ჩხეტიძე), დას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1660–66, ერთდროულად იყო ქუთათელი ეპისკოპოსიც; დაახლ. 1637-დან ქუთათელი, ადრე ნიკორწმინდელი; 1661 და 1664 აღკვეთა კათალიკოსის სამეურნეო და ადმ. საქმეებში ოდიშისა და გურიის მთავართა ჩარევის ცდა. 1663 მისი მხარდაჭერით იმერეთის ტახტი დაიბრუნა ბაგრატ IV-მ.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მისივე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სვნიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

სვიმონი (გვარად ინაურიძე), გარეჯის მრავალმთის დოდოს მონასტრის წინამძღვარი 1746–60. დოდოს მონასტრის გაუქმების შემდეგ მეფე ერეკლე II-მ და საბა ნინოწმინდელმა ს. გადაიყვანეს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტად, სადაც მოღვაწეობდა 1760–72. საკუთარი სახსრებით დოდოს მონასტერს შეუძინა ადგილ-მამული თბილისში, მისი ინიციატივით იოანე ნათლისმცემლის მონასტერმა ნასყიდობით თუ შეწირულების გზით მიიღო საშემოსავლო ობიექტები სოფ. საბუეში, გიორგიწმინდასა და თვალში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სვნიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

სვინაქსარი (<ბერძნ. sunagō — თავს ვუყრი), კრებანი, ღვთისმსახურებაში გამოყენებული სახარება-სამოციქულოზე დართული სარჩევი ანუ კალენდარი, რ-იც შეიცავდა წმინდანთა სახელებს და განაწილებული იყო თვის დღეებში მათი ხსენების მიხედვით. მასში ნაჩვენები იყო საღმრთო წერილის ესა თუ ის ადგილი რომელ დღეს და რა დღესასწაულთან დაკავშირებით უნდა წაკითხულიყო. შემდგომში ს. კანონართან (საკითხავების კანონთან) ერთად იქცა *ტიპიკონის* ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად, რ-შიც მოცემულია წმინდანთა, მოწამეთა და ღვთისმსახურთა თორმეტ თვეზე გაწყობილი კალენდარი, გავრცობილი მათი ბიოგრ. თუ ისტ. ცნობებით და ლიტურგიკული მითითებებით ტროპარებზე, კონდაკებზე, ლიტანიაზე და სხვ.

ქართ. სინამდვილეში ს-ის სახელწოდება მთელ ტიპიკონზე გავრცელდა. პირველად ექვთიმე მთაწმიდელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა „სჳნაქსარი საწელიწდოჲ უმცროჲსი" (მცირე ს.), რ-იც კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის (წმ. სოფიოს) ტიპიკონის შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენს. 1042–44 გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან სრულად თარგმნა „დიდი სჳნაქსარი", რ-ის მთარგმნელისეულ ნუსხაში ქართ. მასალიდან შეტანილია მხოლოდ იოანე მთაწმიდლის ხსენება და ექუთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრება. XI ს-შივე ს-ის სხვადასხვა ნუსხაში შეიტანეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამშენებლის პეტრე ქართველისა და ნინო განმანათლებლის სვინაქსარული ცხოვრებები და ილარიონ ქართველის ხსენება; XII ს. ნუსხებში შეტანილია ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება, XIV ს-ში — აბო თბილელის, ლუკა ქართველის, ნიკოლოზ დვალის, დავით და კონსტანტინეს ცხოვრებანი. XVII–XVIII სს-ში გადაწერილ ნუსხებში შეტანილია თითქმის ყველა ქართველი წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება.

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980.

მ. დოლაქიძე.

სვინტარი (Polygonatum), მცენარეთა გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია, 30-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში გაჩერცელებულია 17 სახეობა. საქართ. ტყეებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე გვხვდება 5 სახეობა, მათგან ერთი (P. glaberrimum) კავკ. ენდემია, ერთი (P. obtusifolium)— საქართველოსი. ს-ის ზოგი სახეობა დეკორ. მცენარედ მოჰყავთ.

სვინჰუვუდი (Svinhufvud) პერ ევინდ (15. XII. 1861, სიაქსმიაკი, — 29. II. 1944, ლუმიაკი), ფინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1907–14 პარლამენტის დეპუტატი, მისი პირველი თავრე. 1917 ნოემბ.–1918 მაისსა და 1930–31 პრემიერ-მინისტრი. გაატარა ანტიკომუნისტური კანონები. 1931–37 პრეზიდენტი.

სვირი, მდინარე რსფსრ ლენინგრადის ოლქში. გამოედინება ონეგის ტბიდან, ერთვის ლადოგის ტბას. სიგრძე 224 *კმ*, აუზის ფართ. 84400 *კმ*². ს-ის ჩამონადენი მოწესრიგებულია ონეგის ტბითა და ჰესებით. წყლის საშ. ხარჯი დაახლ. 785 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბ.-დეკ-ში, ზოგჯერ იანვ-ში, ყინულქვრაა აპრ.-მაისში. ს. თეთრი ზღვა—ბალტიისა და ვოლგა—ბალტიის სანაოსნო გზების ნაწილია. ს-ის ნაპირზეა ნავმისადგომები: ვოზნესენიე, პოდპოროჟიე, ლოდეინოე-პოლე, სვირიცა.

სვირი, სოფელი ახალციხის რ-ნში, ახალციხის ქვაბულში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ბოგა, ტატანისი). ზ. დ. 1340 *მ*, ახალციხიდან 10 *კმ*. მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, ფოსტა.

სვირი, ზესტაფონის რ-ნის სოფლების *პირველი სვირის, მეორე სვირის* და *ახალი სვირის* ძვ. სახელწოდება.

სვირიდოვი გიორგი (იური) ვასილის ძე [დ. 3 (16). XII. 1915, ქ. ფატჟი, ახლანდ. კურსკის ოლქი], საბჭ. კომპოზიტორი და სსრკ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1970), სოციალ. შრომის გმირი (1975). 1941 დაამთავრა ლენინგრ. კონსერვატორია (პ. რიაზანოვისა და დ. შოსტაკოვიჩის კლასები). 1962–74 სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, პარალელურად 1968–73 რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი. ს-ის შემოქმედება XX ს. II ნახევრის მუს. ხელოვნების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. განაახლა მრავალი ვოკალური ჟანრი. ნაწარმოებები: ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის (1945; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), „მამების ქვეყანა" (პოემა ტენორისა და ბანისათვის ფორტეპიანოსთან ერთად, 1950, ა. ისაკიანის ტექსტზე), სიმღერების ციკლი რ. ბერნსის ტექსტზე (1955), პოემა მიძღვნილი ს. ესენინის ხსოვნისადმი (ტენორის, გუნდისა და სიმფ. ორკესტრისათვის, 1955–56), „პათეტიკური ორატორია" ბანის, გუნდისა და ორკესტრისათვის (1959; ვ. მაიაკოვსკის მიხედვით, ლენინური პრემია, 1960), „კურსკის სიმღერები" (1964; სსრკ სახელმწ. პრემია, 1968), „ხის რუსეთი" (ს. ესენინის მიხედვით, 1964), „თოვს" (ბ. პასტერნაკის მიხედვით, 1965), და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1980). რსფსრ VII და VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით.



გ. სვირიდოვი.

სვირსკი ალექსი ივანეს ძე [26. IX (ძ. X). 1865, პეტერბურგი ან ჟიტომირი, — 6. II. 1942, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1919-იდან. თავის მოთხრობებსა და ნარკვევებში [კრებულები „ციხის კედლებში" (1894), „დაღუპული ადამიანები" (1898), „სამშობლოში" (1902), „ებრაული მოთხრობები", „ქუჩის შვილები" (ორივე 1909) და სხვ.] მოგვითხრობდა ცხოვრების „ფსკერზე" მოქცეულ ადამიანებზე. მუშათა კლასის თემა ახსახა ს-ს მოთხრობებში „მუშის ჩანაწერები" (1906), „შავი ადამიანები" (1908), „ფოლადის გული" (1925).

სვირსკი, ქალაქი 1949-იდან რსფსრ ირკუტსკის ოლქში, ნავმისადგომი (მაკარიევო) მდ. ანგარის მარცხ. ნაპირზე, რკინიგზის სადგ. ჩერემხოვოდან 24 *კმ*. არის ქ-ნები: „ვოსტსიბელემენტი", „ავტოსპეცობორუდოვანიე" (სამთო მოწყობილობის შეკეთება) და სხვ. ელექტრომექან. ტექნიკუმი.



სვიფი. წმ. გიორგის ეკლესია. შუა საუკუნეები.

სვიფი, სოფელი მესტიის რ-ნში (ფარის სოფსაბჭო), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1550 *მ*, მესტიიდან 37 *კმ*. ლახამულის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი, ფოსტა. სოფელში დგას X ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — წმ. გიორგის სახ. პატარა ეკლესია.

სვიფი, სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ცხუმარის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ლაბსყალდი, ლეზგარა, მაგარდელი, ტვიბერი, ღვებალდი). ზ. დ. 1240 *მ*, მესტიიდან 20 *კმ*. ცხუმარის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, ამბულ., საფერშლო პუნქტი, კაზშირგაბმ. განყ-ბა.



ჯ. სვიფტი.

სვიფტი (Swift) ჯონათან (30. XI. 1667, დუბლინი, — 19. X. 1745, იქვე), ინგლისელი მწერალი. ღვთისმეტყველებას სწავლობდა დუბლინის უნ-ტის ტრინიტი-კოლეჯში (1682 — 88); მაგისტრის



ლ. სვობოდა.

ხარისხი მოგვიანებით, 1692 მოიპოვა (1701-იდან დოქტორი), სამი წლის შემდეგ მღვდლად ეკურთხა. 1689—99 მსახურობდა ჭოფილი დიპლომატისა და ფილოსოფოს-უპიტურელის სერ უ. ტემპლის ლიტ.მდივნად, შემდეგ — ლორდ ბერკლის კაპელანად, რ-ის დახმარებითაც მიიღო სამრეველო ლარაკორში. ამ პერიოდში დაუწყია ლიტ. მოღვაწეობა; შექმნა „ოდა დოქტორ უილიამ სენკროფტს“ (1690), „ოდა მისტერ კონგრივს“ (1693) და თავისი პირველი ლიტ.-ალეგორიული პამფლეტი „წიგნების ბრძოლა“ (1697); ამ ნაწარმოებში იგი გამოეხმაურა იმ ხანად გამართულ დავას ანტ. და ახ. ლიტრის საკითხებზე. ამავე პერიოდში შექმნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სატირული ნაწარმოები „კასრის ზღაპარი“ (1697, გამოქვეყნდა 1704), რ-შიც ოსტატურადაა შეზავებული მხატვრულ-ალეგორიული და პამფლეტური პუბლიცისტიკა; თვით სათაური ორივარ ალეგორიას შეიცავს. იგი, როგორც იდიომი, ნიშნავს აბდაუბდას, უთავბოლო ამბავს, რასაც პირდაპირ შეესაბამება ნაწარმოების სტრუქტურა; ერთი მხრივ, წიგნში ალეგორიულადაა წარმოდგენილი ქრისტ. სარწმუნოების 3 განშტოება — კათოლ., პროტესტანტული და პურიტანული, რასაც სამი ძმა — პეტრე, მარტინი და ჯეკი — განასახიერებს, მათი თავგადასავლისა და ურთიერთობის ფონზე ბრწყინვალედაა გაშუქებული რელიგ. სამყარო; მეორე ალეგორიული მნიშვნელობა გამოხატულია იგავის სახით — მეზღვაურებს (სახელმწ. მესვეურთ) ჩვევად აქვთ ზღვაში შეხვედრილ ვეშაპს (ხალხი) გადაუგდონ ცარიელი კასრი (რელიგია), რათა იგი ჩამოაშორონ ხომალდს (სახელმწიფოს); ეს ორი თემა ოსტატურად ავსებს ერთმანეთს და მთლიანობაში ქმნის XVII ს. ინგლ. და თითქმის მთელი ევრ. სულიერი ცხოვრების ფართო პანორამულ და სატირულ სურათს.

1707 ს. ლონდონში დასახლდა. 4 წელი მაღალი მდგომარეობა ეკავა, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში. მისი პოლიტ. შეხედულებები გადმოცემულია პამფლეტებში „მსჯელობა ათენისა და რომის დიდებულთა და მდაბიოთა შორის უთანხმოებაზე“ (1701), „ინგლისელი სასულიერო პირის ფიქრები“ (1708), „მოკავშირეთა დადარინდელი სამინისტროს ქცევა მიმდინარე ომში“ (1711), „ვიგების საზოგადოებრივი სული“ (1711, გამოქვეყნდა 1714) და სხვ. აღნიშნული პერიოდი აღწერა წიგნში „დღიურები სტელასადმი“ (გამოქვეყნდა 1719). 1713-იდან ს. დანიშნეს დუბლინში წმ. პატრიკის ტაძრის დეკანოზად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. იგი ირლ. ხალხის ინტერესებს გამოხატავდა და მგზნებარედ იცავდა, ცდილობდა გაეღვიძებინა მათში ეროვნ. თვითშეგნება, მოუწოდებდა წინააღმდეგობისაკენ. ამ პერიოდის პამფლეტებში („მეშაუდის წერილები“, ნაწ. 1—2, 1723—24, 3 — 4 — 1729, „მოკრძალებული წინადადება ღარიბთა ბავშვების თაობაზე“, 1729) სასტიკად ილაშქრებდა ინგლ. კოლონ. პოლიტ. წინააღმდეგ. თავისი მთავარი ნაწარმოები „თავდაპირველად ქირურგისა და შემდგომში რამდენიმე ხომალდის კაპიტნის ლემუელ გულივერის მოგზაურობა სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში“ ს-მა 1726 გამოაქვეყნა; მასში შერწყმულია სხვადასხვა ჟანრი — მოგზაურობის აღწერა, უფრო სწორად, პაროდია იმ დროს გავრცელებულ ამ ჟანრზე, ფანტასტიკა, მეცნ. ფანტასტიკა, უტოპია და ა. შ. იგი შეიცავს პოლიტ. პამფლეტის ბრწყინვალე ელემენტებს, ფილოს. თხრობას, პუბლიცისტიკას, ალეგორიას და სხვ. წიგნი შედგება 4 ნაწილისაგან. ალეგორიისა და ფანტასტიკის მიღმა აშკარად ჩანს ინგლ. საზ. ცხოვრების ფართო პანორამა; მასში მკაფიოდ აირეკლა მწერლის ღრმა ფილოს. და პოლიტ. შეხედულებები, ზოგადსაკაცობრიო იდეალები. ნაწარმოების სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება, თხრობა ლაკონურია და ზედმიწევნით სადა.

ს-ს ეკუთვნის აგრეთვე „ლექსები დოქტორ სვიფტის გარდაცვალების გამო“ (1731), სატირული პოემა „ლეგიონების კლუბი“ (1736) და სხვ.

ს., უპირველეს ყოვლისა, პოლიტ. სატირიკოსია, მისი ცხოვრებს და შემოქმედება თავისი დროის პოლიტ., ეროვნ., სოც. და რელიგ. კონფლიქტების უშუალო ანარეკლია. ს-ის სარკაზმში არ შეინიშნება ცინიკური გულგრილობა. მან გულისტკივილით გამოააშკარავა ეპოქის საზ-ბის ანტიჰუმანური და უზნეო ხასიათი. მისი სატირა, კონკრ. ისტ. და სოც. საფუძვლების მიუხედავად, დიდ განზოგადებას აღწევს. ს-ის თანადროული სახელმწიფო, მისივე აზრით, ბოროტებაა, რელიგია — ხალხის დაბეჩავების იარაღი. ს-ის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტ-რაში. იგი თარგმნილია მსოფლიოს უმრავლეს ხალხთა ენაზე. „გულივერის მოგზაურობა“ ქართულად პირველად ი. ცისკარიშვილმა თარგმნა და გამოსცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ 1903.

თხზ.: თავდაპირველად ქირურგისა და შემდგომ რამდენიმე ხომალდის კაპიტნის ლემუელ გულივერის მოგზაურობა სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში.—კასრის ზღაპარი, თბ., 1984 (მსოფლიო ლიტრის ბ-კა, I სერია, ტ. 24).

ლიტ.: Елистратова А. А., Английский роман эпохи Просвещения, М., 1966; Левидов М. Ю., Путешествие в некоторые отдаленные страны. Мысли и чувства Джонатана Свифта, М., 1964; Davis H., Jonathan Swift, N. Y., 1964. *ნ. ბადრიაშვილი.*

სვიშჩევი გიორგი პეტრეს ძე [დ. 11 (24). XII. 1912, ლენინგრადი], საბჭ. მეცნიერი ავიაციისა და მექანიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1976), სოციალ. შრომის გმირი (1957). სკკპ წევრი 1945-იდან. მოსკ. დირიჟაბლთმშენებლობის ინ-ტის დამთავრების (1935) შემდეგ მუშაობდა ჯერ დირიჟაბლთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროში, შემდეგ (1940—54) აეროჰიდროდინამ. ინ-ტში (ცაგი), 1950-იდან — ამავე ინ-ტის უფროსის მოადგილედ. 1954—64 იყო პ. ბარანოვის სახ. საავიაციო ძრავათმშენებლობის ცენტრ. ინ-ტის უფროსი, 1967-იდან ცაგის უფროსია. ს-ის ძირითადი შრომები ეხება თვითმფრინავისა და ძრავული დანადგარების აეროდინამიკას. სსრკ სახ. პრემია (1946, 1952). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Исследование профиля сопротивления с различными деформациями носика, М., 1946; Сверхзвуковые течения газа в перфорированных границах, М., 1967 (თანაავტ.); Эффективность руля и шарнирные моменты М., 1948.

სვობოდა (Svoboda) ლუდვიკ (25. XI. 1895, პროზნეტინი, ჩეხია, — 20. IX. 1979), ჩეხოსლოვაკიის სრ სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, არმიის გენერალი (1945). ჩსრ პრეზიდენტი 1968—75; ჩეხოსლ. სამგზის (1965, 1970, 1975) და საბჭ. კავშირის გმირი (1965) ჩეხოსლ. კომპარტიის (ჩკპ) წევრი (1948) დაიბადა გლეხის ოჯახში, მიიღო აგრონ. განათლება. 1915 გაიწვიეს ავსტრ.-უნგრ. არმიაში, იმყოფებოდა რუს. ფრონტზე. 1920 დაბრუნდა სამშობლოში და ჩეხოსლ. არმიის კადრების ოფიცერი გახდა. 1939 ზაფხულში ჩავიდა პოლონეთში, ჩამოაყალიბა ჩეხ. სამხ. ნაწილი და მასთან ერთად 1939 სექტ. გადავიდა საბჭ. კავშირში, სადაც 1942—1943 მეთაურობდა I ჩეხოსლ. ცალკე ბატალიონს, შემდეგ I ჩეხოსლ. ბრიგადას, 1944 წ. I ჩეხოსლ. საარმიო კორპუსს, 1945—50 ეროვნ. თავდაცვის მინისტრი, 1950—51 მთავრობის თავ-რის მოადგილე. ჩკპ ცკ წევრი (1948—49 და 1968 აგვდან), ჩკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი 1963 აგვ-დან. ჩეხოსლ. მშვიდობის პრემია (1968), საერთაშ. ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ (1970). დაჯილდოებულია კ. გოტვალდის (1959, 1970), ლენინის (1943, 1965), ოქტ. რევ. (1970) ორდენებით.

სვობოდნი (1924-მდე ალექსეევსკი), ქალაქი რსფსრ ამურის ოლქში, ნავსადგური მდ. ზეის (ამურის შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. სვობოდნის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, ბლაგოვეშჩენსკიდან 180 *კმ*. 76 ათ. მცხ. (1983). არის ვაგონთშემკეთებელი, სამსხმელო-მექან., მაღალი ძაბვის აპარატური, გემთშემკეთებელ-გემთსაშენი. საშენებლო დეტალების ქ-ნები, ქ-ნა „ავტოზაპჩასტი“, სამკერვალო ფ-კა, 3 ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი.

სვობოდნოე, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში (ცოდნისკარის სოფსაბჭო), ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 280 *მ*, ლაგოდეხიდან 8 *კმ*. ეთერზეთოვანი კულტურების მეურნ.-ქ-ნა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი.

სთეკლისა, იხ. *ოქტომბერი.*

სი, ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა, ძირითადი დომაჟორული დიატონური ბგერათრიგის VII საფეხური (იხ. *საფეხური, სოლმიზაცია*). ბგერა ს. აღინიშნება ლათ. H-ით.

სია, პროტოჩინური ტომი, რ-იც ძვ. წ. III ათასწლ. დასასრ. და II ათასწლ. დასაწყისში მეთაურობდა ტომთა კავშირს მდ. ხუანხეს შუა დინების რ-ნში. ყველაზე სრული და სისტემ. ცნობები ს-ის ეპოქის შესახებ მოცემულია *სიმა ციანის* „ისტორიულ ჩანაწერებში“. ეთნ. თვალსაზრისით, ს-ის ტომი გახდა ძვ. ჩინ. ხალხების შემადგენელი კომპონენტი, ხოლო ტერმ. „ს.“ — ძვ. ჩინელებისათვის შერქმეული სახელი.

სია დასავლეთისა, ს-ს ია, სახელმწიფო, რ-იც X ს. დასასრულს შექმნეს ტიბეტურ-ბირმულმა ტომებმა მინიამ (ტანგუტებმა) ახლანდ. ჩინ. პროვ. განსუსა და შენსის დას. ნაწილში. 982 მინიამ დაიწყო წარმატებითი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ჩინ. სუნის იმპერიის წინააღმდეგ, რ-მაც ს. დ-ის დამოუკიდებლობა ფაქტობრივად აღიარა 1006. ს. დ-ის გამგებლის იუან-ხაოს (1032—48) დროს ხმარებაში შემოიღეს ორიგინალური დამწერლობა (გამოიგონა ელი ჭენიუნმა), რ-იც ამჟამად ცნობილია სიასიას, ანუ ტანგუტური დამწერლობის სახელით. 1227 ს. დ. დაიპყრეს მონღოლებმა. დამპყრობლები სასტიკად გაუსწორდნენ დამარცხებულებს. მოგვიანებით ისინი, ვინც გადარჩნენ, შეერწყნენ ტიბეტელებს, ჩინელებს, მონღოლებს. XVI—XVII სს. მიჯნაზე სი-სიას დამწერლობა დაუწყებას მიეცა. 1909 პ. *კოზლოვმა* ხარა-ხოტოს ბ-კაში აღმოაჩინა წიგნები და ხელნაწერები სი-სიას ენაზე. მათ ამოკითხვაში დიდი მონაწილეობა მიიღეს მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა, მ. შ. საბჭ. სწავლულმა ნ. ნევსკიმ.

სიაზანი, ქალაქი (1954-მდე დაბა ყიზილბურუნი) აზერბ. სსრ დავაჩის რ-ნში, ზღვისპირა დაბლობზე. რკინიგზის სადგური (ყიზილ-ბურუნი) ბაქო—გუდერმესის ხაზზე. იღებენ ნავთობს. აირბენზინის ქ-ნა.

სიათა, განიერლულიანი, მხარზე სატარებელი თოფის ერთ-ერთი ძვ. სახეობა. ს-ს სროლისას სპეც. შტატივზე (ორკაპი, კაკვი) ამაგრებდნენ. შტატივს ქვეითნი მიწაზე აყრდნობდნენ, ხოლო მხედრები უნაგირის კეხზე მართავდნენ. ს-ს ადრე

წამლითა და ქვით, ხოლო მომდევნო ხანებში ტყვიით ტენიდნენ და ლულიდან ან ლულის ქვედა ნაწილში დატანებული ხვრელიდან უკიდებდნენ ცეცხლს. XVI ს. I ნახევარში ს-ს უკეთებდნენ სასხლეტ რესორზე აგებულ ჩახმახს, უფრო მოგვიანებით კი — კაჟის ბატარეას.

ქ. ჩოლოყაშვილი.

სიალკოტი, ქალაქი პაკისტანში, პენჯაბის პროვინციაში, მდ. ჩინაბის მახლობლად. სიალკოტის ოლქის ადმ. ცენტრი. დაახლ. 230 ათ. მცხ. მნიშვნელოვანი სატრანსპ. პუნქტი. დიდი სავაჭრო-სამრეწვ. ცენტრი. საფეიქრო, კვების, ტყავის, ლითონგადასამუშ. მრეწვ., ხელოსნური წარმოება.

სიამანგი (Symphalangus), მაიმუნების გვარი *გიბონისებრთა* ოჯახისა. წარმოდგენილია 1 სახეობით (S. syndactylus). ბინადრობენ კ. სუმატრაზე. ს-ს ტერფის მე-2 და მე-3 თითი შეზრდილი აქვს კანის აპკით. მამლის სხეულის სიგრძეა 47—60 *სმ*, მასა 9,5—12,5 *კგ* (20 *კგ*-მდე). დაფარული არიან შავი, პირისა და ნიკაპის ირგვლივ კი უფრო ღია ფერის ბალნით.

სიამი, ასე უწოდებდნენ XI—XII სს-ში ტაის ტომებს მათი აღმოსავლეთის მეზობლები. შემდგომში ასე ერქვა ტაილანდის ახლანდ. ტერიტორიას. სიტყვის ზუსტი ეტიმოლოგია ცნობილი არ არის. XVI ს-ში ეს სახელწოდება შევიდა (მალაიელებიდან) ევრ. ენებში. ევრ. სახელმწიფოებთან ურთიერთობისას ტაის სამეფო (ტაილანდი) იყენებდა შერქმეულ სახელს — სიამს 1939-მდე და შემდეგ 1945 სექტ. — 1948 აგვ. პერიოდში.

სიამინი, ა მ ო ი, ქალაქი სამხრ.-აღმ. ჩინეთში, ფუძიანის პროვინციაში, კ. სიამინზე, ტაივანის სრუტის სანაპიროსთან. 300 ათ-ზე მეტი მცხ. (1975). ნავსადგური და რკინიგზის ბოლო სადგური. კონტინენტს უკავშირდება ჯებირით (5 *კმ*). ს. ჩინ. დიდი სავაჭრო და თევზსაჭერი ცენტრია. მანქანათაშ., კვების, ქიმ., რეზინის, მინის მრეწველობა. უნ-ტი.

სიამის ყურე, ჭერე სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, მალაკის ნ.-კ-სა და ინდოჩინეთის ნ.-კ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილს შორის. ხმელეთში შეჭრილია 720 *კმ*-ზე. სიგანე შესასვლელთან დაახლ. 400 *კმ*, სიღრმე 70 *მ*-მდე. მოქცევა დღეღამურია, სიმაღლე 4 *მ*-მდე.

სიანგან-გუანჯოუს გაფიცვა 1925—26, ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე ხანგრძლივი გაფიცვა ჩინეთში 1925—27 რევოლუციის პერიოდში. მონაწილეობდა 250 ათ-ზე მეტი კაცი. აჯანყება დაიწყეს 1925 წ. 19 იგნისს სიანგანისა და გუანჯოუს შამიანის რ-ნის ინგლ.-საფრ. კონცესიის მუშებმა იმპერიალისტების მიერ 30 მაისს შანხაიში მოწყობილი დახვრეტების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. აჯანყებულებმა დატოვეს სიანგანი და შამიანი და რევ. გუანჯოუს მთავრობის (1925 წ. 1 ივლ-იდან — ჩინ. რესპ. ეროვნ. მთავრობა) კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე გადავიდნენ. გუანჯოუში შეიქმნა გაფიცვის კომიტეტი სუ ჯაოჯენის, დენ ჯუნსიასა და ჩინ. კომპარტიის სხვა მოღვაწეთა მეთაურობით. ინგლ. იმპერიალისტები სამხ. ინტერვენციით ემუქრებოდნენ რევ. გუანჯოუს. ს.-ბ. ბ-მ დაასუსტა დიდი ბრიტ. ეკონ. და პოლიტ. გავლენა სამხრ. ჩინეთში, განამტკიცა რევ. ბაზა გუანდუნში. შეწყდა 1926 წ. 10 ოქტ. გაფიცვის კომიტეტისა და ეროვნ. მთავრობის გადაწყვეტილებით.

სიანგანი, ჰ ო ნ კ ო ნ გ ი (Hongkong), ტერიტორია სამხრ.-აღმ. ჩინეთში, სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე. დიდი ბრიტ. სამფლობელო. უჭირავს კ. სიანგანი და ძიულუნის ნ.-კ. ფართ. 1060 *კმ*². მოსახლ. 5,2 მლნ. კაცი (1984), აქედან 98%-ზე მეტი ჩინელია. ადმ. ც. — ქ. სიანგანი (ვიქტორია). ოფიც. ენები — ინგლ. და ჩინური. ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია ჰონკონგის დოლარი.

ბუნება. ნაპირები ძლიერ შეჭრილ-შემოჭრილია. სანაპიროს მახლობლად ბევრი წვრილი კლდოვანი კუნძულია. მთების სიმაღლე 939 *მ*-მდეა. ჰავა მუსონურია. იანვ. საშ. ტემპ-რა 15—16°C, ივლ. 25—27°C. ნალექები 2000 *მმ*-მდე წელიწადში. მარადმწვანე ტროპ. ტყეები.

ისტორიული ცნობა. ძვ. წ. III ს. დასასრულს ახლანდ. ს-ის ტერიტ. ჩინ. სახელმწ. შემადგენლობაში შევიდა, თუმცა ჩინ. მიწათმოქმედი მოსახლ. აქ მხოლოდ XI ს-ში გაჩნდა. ინგლ.-ჩინ. ომის (1840—42) დროს კ. სიანგანი დაიპყრეს ინგლისელებმა და ნანკინის ხელშეკრულებით (1842) დიდი ბრიტანეთის „სამუდამო მფლობელობაში" გადავიდა. ინგლ.-საფრ.-ჩინ. 1856—60 ომის შედეგად ინგლისმა ჩინეთს წაართვა ძიულუნის ნ.-კ-ის უკიდურესი სამხრ. ნაწილი, რის გამო ს-ხს, როგორც დიდი სავაჭრო ცენტრის, მნიშვნელობა გაიზარდა; 1865 ს-ში გაიხსნა ბრიტ. ჰონკონგ-შანხაის ბანკი. 1898 ივნ-ში ჩინეთისათვის თავს მოხვეული კონვენციით დიდმა ბრიტანეთმა 99 წლით იჯარით მიიღო ძიულუნის ნ.-კ-ის კიდევ ერთი ნაწილი მომიჯნავე კ-ებით (ე. წ. ახალი ტერიტორია).

XX ს. დამდეგისათვის ს. გახდა შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი კომერც. ცენტრი და ნავსადგური, ინგლ. იმპერიალიზმის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ჩინეთში. 1924 აქედან გუანჯოუში (კანტონი) სამხ. და ფინანს. დახმარებას იღებდნენ ჩინ. ვაჭრები — კომპრადორები, რ-ებმაც ამბოხება მოაწყვეს *სუნ იატ-სენის* რევ. მთავრობის წინააღმდეგ. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ს. იაპ. იმპერიალისტებმა მიიტაცეს (1941 წ. 25 დეკ.). 1945 წ. 30 აგვ. იგი კვლავ ინგლისელებმა დაიკავეს. ინგლის-ჩინეთის 1984 შეთანხმებით 1997 წ. 1 ივლ-იდან ქ. სიანგანი ჩინეთის სრ გამგებლობაში უნდა გადავიდეს.

ეკონომიკა. ს-ის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეექსპორტულ ვაჭრობასა და სატრანზიტო ოპერაციებს. ჩინ. მეწარმეების ინვესტიციებისა და უცხ. კაპიტალის მეშვეობით 1960-იანი წლებიდან ს-ის მეურნ. მთავარი დარგი გახდა მრეწველობა, რ-იც თითქმის მთლიანად იმპორტულ ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებზე მუშაობს. პროდუქციის დაახლ. 80% საექსპორტოა. არის სამკერვალო, საფეიქრო, კვების, ფეხსაცმლის, ელექტრონული და ელექტროტექ., საათის მრეწვ., გემების მშენებლობა და რემონტი. ნავთობქიმია, ამზადებენ ფაიფურ-ქაშანურისა და პლასტმასის ნაკეთობებს, სათამაშოებს, პარიკებს, ხელოვნურ ყვავილებს და სხვ. იღებენ რკინის მადანს, კაოლინს, კვარცს. მოჰყავთ ბრინჯი, ბოსტნეული, ყვავილები (საექსპორტოდ). განვითარებულია მეღორეობა და მეფრინველეობა. თევზჭერა.

რკინიგზის სიგრძეა 34 *კმ*, საავტ. გზებისა — 1200 *კმ* (1982). 1981 ავტოპარკში იყო 305,6 ათ. ავტომობილი, მ. შ. 227,8 ათ. — მსუბუქი. მთავარი ნავსადგურია სიანგანი (ტვირთბრუნვა 31,9 მლნ. ტ, 1982). საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია კაი-ტაკი.

1983 ექსპორტმა შეადგინა 160,69 მლრდ. ჰონკონგის დოლ. (აქედან რეექსპორტმა — 56,29 მლრდ.), იმპორტმა — 175,44 მლრდ. გააქვთ ტანსაცმელი, ქსოვილები, აგრეთვე სათამაშოები, ფოტოტექ. სახმონელი, საათები, ელექტრონტექ. და ელექტრონული მოწყობილობა, ლითონის ნაკეთობანი და სხვ. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, სურსათი, სათბობი, ქსოვილები და ნართი, ძვირფასი ქვები. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, ჩინეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, სინგაპური, ს. საერთაშ. სავალუტო-საფინანსო ცენტრია. 1982 ს-ში იყო 124 კომერც. ბანკი და რამდენიმე სავაჭრო ბირჟა. უცხ. ვალუტის დიდი ნაწილი საბანკო, საგარეო-სავაჭრო და სხვა ოპერაციებით ხვდება ჩინეთში (ჩინ. კონტროლქვეშაა ს-ის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ბანკი, ჩინეთს ეკუთვნის უდიდესი მაღაზიები, სასტუმროები და სხვ.). 1982 ს. დაათვალიერა 2,6 მლნ. უცხოელმა ტურისტმა. უცხოეთის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით იფარება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის 1/2.



სიანგანი. ბრინჯის მოსავლის აღება.

განათლება, ს-ში სავალდებულო სწავლება არ არის. 3—5 წლის ასაკის ბავშვებისათვის გახსნილია უმეტესად კერძო საბავშვო ბაღები. დაწყებითი სკოლა 6-წლიანია, საშ. სკოლა—7-წლიანი (5+2). ასწავლიან ჩინ. და ინგლ. ენებზე. პროფტექ. სასწავლებლები მუშაობს დაწყ. სკოლის ბაზაზე (1—5 წელი). უმაღლეს განათლებას იძლევა ს-ის უნ-ტი (1911), ჩინ. უნ-ტი (1963), ტექ. ინ-ტი (1969), პოლიტექ. ინ-ტი (1972). დიდი ბ-კებია: ქალაქის საჯარო და უნ-ტებთან არსებული; ქალაქის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა.

სიანგანი, ვ ი ქ ტ ო რ ი ა (Victoria), ქალაქი, დიდი ბრიტანეთის სამფლობელო სიანგანის (ჰონკონგი) ადმ. ცენტრი. გაშენებულია კ. სიანგანის (ჰონკონგი) ჩრდ.-დას. ნაპირზე. ადმინისტრაციულად გაერთიანებულია მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქ. ძიულუნთან (კოულუნი). 1,5 მლნ. მცხ. (1982). ს. და ძიულუნი ერთმანეთს უკავშირდება სარკინიგზო ბორნით. დიდი ნავსადგური, სავაჭრო-სამრეწვ. და საფინანსო ცენტრი. უნ-ტი (1911).

სიანი. პაგოდა დაიანტა-652.

სიანგანის მეზღვაურთა გაფიცვა 1922, პირველი დიდი ანტიიმპერიალისტური გაფიცვა ჩინეთში. მოაწყო სიანგანის (ჰონკონგის) ჩინ. მეზღვაურთა პროფკავშირმა (შეიქმნა 1921) სუ ჯაოჯენის მეთაურობით. დაიწყო 1922 წ. 12 იანვ. მეზღვაურები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებასა და სამუშაო ძალის დაქირავებასა და განაწილებაში პროფკავშირის მონაწილეობას. მას შემდეგ, რაც სიანგანის ინგლ. ხელისუფალთ აკრძალეს მეზღვაურთა პროფკავშირი, ამბოხება საყოველთაო პოლიტ. გაფიცვაში გადაიზარდა. 100 ათ-ზე მეტმა მუშამ დატოვა სიანგანი და გადავიდა გუანჯოუში, სადაც სუნ იატ-სენის დემოკრ. მთავრობა იმყოფებოდა. გაფიცვა 1922 წ. 8 მარტს მეზღვაურთა გამარჯვებით დამთავრდა.

სიანი, ქალაქი ჩინეთში, ვეიხეს (ხუანხეს შენაკადი) ხეობაში. შენსის პროვ. ადმ. ცენტრი. 2,2 მლნ. მცხ. (1982). ჩრდ.-დას. ჩინეთის დიდი სამრეწვ. ცენტრი. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. განვითარებულია მანქანათმშ. (ჩარხები, სას.-სამ. და საფეიქრო მანქანები, საბურღი მოწყობილობა, ელექტრომოწყობილობა და ხელსაწყოები), ავტომობილები და ტრაქტორები), შავი მეტალურგია, ქიმ., საფეიქრო (ს-ში არის ჩინეთში ერთ-ერთი უდიდესი საფეიქრო კომბინატი „სიბეი"), კვების მრეწვ., ტყავისა და ფაიფურის ნაკეთობათა წარმოება. რამდენიმე თესი. ს. დიდი კულტ. ცენტრია; უნ-ტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები.



სიასამური.



ი. სიბელიუსი.



ი. სიბერეხტსი. „ფონზე გადასვლა“. 1669. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

ს. ჩინ. ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ნეოლითის ეპოქაში ს-ის რ-ნი დასახლებული იყო მიწათმოქმედი ტომებით. *ჯოუს* პერიოდში (ძვ. წ. 1027—249) ახლანდ. ს-ის ახლოს მდებარეობდა ძვ. დედაქალაქები — ხაო და ფენი. ძვ. წ. 202 ს-ის ახლოს დაარსდა ხანის იმპერიის დედაქალაქი ჩანანი, რ-იც ახ. წ. დასაწყისში იყო ძვ. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, ცხოვრობდა 300 ათ. კაცზე მეტი. 583 ახლანდ. ს-ის ადგილზე აშენდა ჩინ. ახ. დედაქალაქი დასინი (შემდგომში ჩანანი; ამ სახელწოდებით დედაქალაქი იყო 923-მდე). X ს-იდან ს-მა თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა. XIV ს-ში გახდა ხელახლად შექმნილი სიანის მხარის ადმ. ცენტრი და ამ დროიდან ატარებს ახლანდ. სახელწოდებას. XVII ს. II ნახევრიდან შენსის პროვ. ადმ. ცენტრია. 1949 წ. 20 მაისს გომინდანის ხელისუფლებისაგან გაათავისუფლეს ჩინ. სახ. განმათ. არმიის ნაწილებმა.

ს-ის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას საფუძვლად უდევს ტანის დინასტიის დროინდელი ქალაქის რეგულარული დაგეგმარება. ხუროთმოძღვრული ძეგლები: XIV ს. 3-იარუსიანი კოშკები (ჯუნლოუ და გულოუ). შენსის პროვინციის მუზეუმი (ბრინჯაოს ნაკეთობების, მონეტების, კერამიკის, წარწერიანი ქვის სტელებისა და ფილების კოლექციები). ს-ის მიდამოებშია ხანის დედაქალაქის ჩანანის გალავნის ნანგრევები, პაგოდები: დაიანტა და სიაოიანტა (707—709), ტანის სამარხი ყორღანი შუხლინი.

სიანის ამბები, გომინდანის ჯარის ოფიცრების ჯგუფის გამოსვლა, რ-საც მეთაურობდნენ ჩრდ.-აღმ. არმიის სარდალი ჯან სიუელიანი და 3ე-17 არმიის სარდალი იან ხუჩენი ნანკინის მთავრობის მეთაურის ჩან კაიშის წინააღმდეგ 1936 დეკ-ში. 1936 წ. 12 დეკ. მათ დაატყვევეს ქ. სიანში ჩამოსული ჩან კაიში და მისი თანმხლები პირები. ამ ამბებმა ძალზე გაამწვავა მდგომარეობა ჩინეთში, სამოქალაქო ომის ფრონტის გაფართოებისა და იაპ. აგრესიის გამო ქვეყნის გაყოფის საშიშროება შეიქმნა. ჩან კაიშის დატყვევების პირველ დღეებში მაო ძედუნი და მისი მომხრეები ცდილობდნენ ჩინ. კომუნისტურ პარტიას (ჩკპ) მხარი დაეჭირა ჯან სიუელიანის და იან ხუჩენის აქციისათვის, მაგრამ კომინტერნმა, ჩინ. ინტერესებიდან გამომდინარე, ურჩია ჩკპ-ს არ გამოსულიყო ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ და გამოეყენებინა სიტუაცია ჩან კაიშისთან მოსალაპარაკებლად კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. ამ კონფლიქტის მშვიდობიანმა მოგვარებამ მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა ერთიანი ანტიიაპ. ეროვნ. ფრონტის შექმნისათვის ჩინეთში 1937.

სიანტანი, ქალაქი ცენტრ. ჩინეთში, ხუნანის პროვინციაში. 400 ათ. მცხ. (1975). ნავმისადგომი მდ. სიანძიანზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. მანქანათაშ., საფეიქრო, კვების მრეწვ., ცეცხლგამძლე და საშენ მასალათა წარმოება.

სიანჯი ნოროდომ (დ. 31. X. 1922, პნომპენი), პრინცი, კამპუჩიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, 1941-იდან კამპუჩიის მეფე; 1955 თავისი სურვილით ტახტი მამას დაუთმო და იმავე წელს შექმნა პოლიტ. ორგანიზაცია სახ.-სოციალ. გაერთიანება (სანგკუმი). რამდენიმეჯერ ეჭირა კამპუჩიის მინისტრთა საბჭოს თავრის პოსტი. მამის გარდაცვალების შემდეგ (1960) აირჩიეს სახელმწიფოს მეთაურად. 1976 წ. 5 აპრ. გადადგა. ფაქტობრივად აშშ-ის იმპერიალიზმის სამსახურში ჩადგა და კამპუჩიელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა.

სიაო სანი (ნამდვ. სახელი სიაო აიმეი; სსრკ-ში ცნობილია ემი სიაოს სახელით) (დ. 1896, ხუნანის პროვინცია), ჩინელი მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. ჩინ. კპ-ის წევრი 1921-იდან. 20—30-იან წლებში ცხოვრობდა სსრკ-ში. რედაქტორობდა ჟურნ. „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ ჩინ. გამოცემას. რუს. ენაზე გამოქვეყნებულ პოეტურ თუ პროზაულ კრებულებში („ლექსები“, 1932; „საბჭოთა ჩინეთისათვის“; 1934; „ჩინური მოთხრობები“, 1940 და სხვ.) აღწერილია ჩინ. ხალხის გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. ჩინ. ენაზე თარგმნა „ინტერნაციონალი“ (1923), პუშკინის, მაიაკოვსკისა და სხვ. ნაწარმოებები.

„სიასათნამე“, „წიგნი მმართველობის შესახებ“, XI ს. პოლიტიკური ტრაქტატი, რ-ის შედგენა სელჩუკი სულთნების *ალფ-არსლანისა* და მელიქ-შაჰის დიდ ვეზირს *ნიზამ ალ-მულქს* მიეწერება. ტრაქტატი 51 თავისაგან შედგება და შეიცავს სხვადასხვა მასალას სახელმწ. შემოსავლისა და ბიუჯეტის, სულთნების „სწორი პოლიტიკის“, სამხ. ლენის — იქტას, ჯარის, სახ. აჯანყებებისა და სხვ. შესახებ. ტრაქტატში უხვადაა დიდაქტ. ხასიათის მოთხრობები, „ს-ს“ ძირითადი ხაზია ირან. სახელმწ. ტრადიციებისა და სულთნის ცენტრალისტური პოლიტ. დაცვა თურქ. სამხ. არისტოკრ. ცენტრიდანული მისწრაფებებისაგან.

ლიტ.: Сиасет-намэ. Книга о правлении везира XI столетия Низам ал-Мулька, пер., введение и прим. проф. Б. Н. Заходера, М.—Л., 1949. *დ. კაციტაძე.*

სიასამური (Martes zibellina), ძვირფასბეწვიანი ცხოველი *კვერნისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 43—53 *სმ*, მასა — 0,9 — 1,9 *კგ*. წარსულში გავრცელებული იყო კარელიიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე. მტაცებლური ნადირობის შედეგად მრავალგან მოისპო. ამჟამად შემორჩენილია ჩრდ. ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქედებსა. მოიპოვება ავრეთვე კორ., ჩინ. და მონღ. ჩრდ. რ-ნებში. ცხოვრობს ტაიგაში. მეტწილად ბინადრობს მიწაზე, ხეზე იშვიათად ადის. იკვებება პატარა-პატარა ფრინველებით, მათი კვერცხებით და მართველებით, წვრილ-წვრილი მღრღნელებით, მეტწილად ციყვებით. ჭამს ავრეთვე კედრის თესლს, კენკრას. მძუნაობს ივლ-ში მაკეობა საშუალოდ 273 დღემდე გრძელდება შობს 3—4 უსუსურ და თვალაუხილავ ნაშიერს (თვალებს ახელენ 36 დღის შემდეგ). 2 წლისა სქესობრივად მწიფდება. ცნობილია 5 ქვესახეობა, რ-თაგან ყველაზე ძვირფასბეწვიანია ბარგუზინული ს. ბოლო წლებში გულმოდგინე დაცვის შედეგად ს-ის რაოდენობამ შესამჩნევად იმატა. ამჟამად ს-ს სარეწაო მიზნით სპეც. ზოოფერმებში ამრავლებენ. *ა. ჯანაშვილი.*

სიაუში, XVI ს. ქართველი მხატვარ-მინიატიურისტი. მოღვაწეობდა ირანში. შაჰ-თამაზის კარზე. ჩვენამდე მოაღწია მისმა 2 მინიატიურამ. პირველზე შავარდენია გამოსახული (არშიაზე სპარს. წარწერაა — „სიაუშის ხელობა“, ინახება ლენინგრ. მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-ჯაში), მეორე ნადირობის სცენას გამოსახავს (დაცულია პარიზის ეროვნ. ბ-კაში). ს-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVI ს. დასასწყ. ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზულება: „ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა“.

სიაჩენი, უდიდესი მყინვარი ყარაყორუმის მთებში, მდ. შაიოკის (ინდის აუზი) სათავეებში. სიგრძე 75 *კმ*, ფართ. 1180 *კმ*². 1848-იდან 1909-მდე ს. წინ იწევდა. განახლდა წინსვლა 50-იან წლებში.

სიბა (თურქ.) 1. გამაგრებული ციხის მახლობლად აშენებული კოშკის მსგავსი საფარი, საიდანაც თოფსა და ზარბაზანს უშენდნენ ალყაშემორტყმულებს. 2. მოძრავი საფარი (ლასტისა?), რ-ითაც ციხიდან ნასროლი ტყვიისა თუ ისრისაგან იფარავდა თავს მოიერიშე ლაშქარი. 3. რომელიმე ადგილის დასაცავი თავდაცვითი ნაგებობათა სისტემა, შემდგარი თხრილისა და ღობისაგან.

ჟამთააღმწერლის ცნობით, ირანის მონღოლმა გამგებელმა ფულადგუ-ხანმა იმისათვის, რომ თავი დაეცვა ჩრდილოეთის ულუსის შესაძლებელი თავდასხმისაგან, შირვანში, მდ. ჩალანუსუნის პირას, ააშენებინა ს. (სხვა წყაროებით, ს. შირვანში ჰულაგუს ვაჟს, აბაღა-ხანს აუგია). „შეცრეს ღობითა წყლის პირი, რომელსაც სიბად უწოდეს“ (ჟამთააღმწერელი). „გარეთ შემოივლეს თხრილი ღრმა და კიდეც შემოღობეს, რომელსაც სიბათ იხმობდეს“ (ფ. გორგიჯანიძე). მონღოლებთან ერთად ქართვ. მეომრებსაც უხდებოდათ შემოდგომიდან გაზაფხულამდე ს-ზე მორიგეობა, რაც ძალიან მძიმე მოვალეობა იყო მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., ს. ქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „ისტორიო მოამბე“, 1925, [ტ.] 2; ჟამთააღმწერელი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ვ. ფუთურიძის გამოც., წგნ. 1, ნაკვ. 1, თბ., 1961 (ტერმინოლოგიური ლექსიკონი).

ლიტ.: კიკნაძე რ., ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ჟამთააღმწერლის თხზულებაში, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 1973, [ტ.] 4; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3, თბ., 1966. *რ. კიკნაძე.*

სიბაი, ქალაქი ბაშკ. ასსრ-ში, სამხრ. ურალის აღმ. კალთაზე. რკინიგზის სადგური, მაგნიტოგორსკიდან 110 *კმ*. არის სპილენძ-გოგირდის კომბინატი, ელევატორი, ხორცკომბინატი, რძის, ლუდის, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა. სამთო-მამდიდრებელი და სას.-სამ. ტექნიკუმები, სამედ. დ პედ. სასწავლებლები. თეატრი.

სიბარისი (Sybaris), ძვ. ბერძნული კოლონია იტალიაში, ტარანტოს ყურის სანაპიროზე, დაახლ. ძვ. წ. 720 დაარსეს აქაველებმა. ძვ. წ. VII—VI სს-ში მდიდარი და ძლიერი სავაჭრო ცენტრი იყო, 25 ქალაქზე ბატონობდა. ფიქრობენ, რომ მოქალაქეთა რიცხვი 100 ათ. აღწევდა. ს-ის მოქალაქეები ცნობილი იყვნენ თავისთავი სიმდიდრითა და განცხრომით (აქედან მოდის ფუფუნებით განებივრებული ადამიანის სახ. სახელი — „სიბარი-

ტი“). ძვ. წ. 510 ქ. კროტონთან ომის დროს ს. მთლიანად დაიწვა. დაახლ. 443 ს-ის გადარჩენილი მოქალაქეების შთამომავლებმა და ათენელებმა (მ. შ. პერიოდტეც იყო) დანგრეული ს-ის მახლობლად ქ. თურიუმი ააშენეს.

სიბელიუსი (Sibelius) იან (იუჰან) [8. XII. 1865, ჰიამენლინა, (ტავასტეჰუსი) — 20. IX. 1957, იარვენპია, ჰელსინკის მახლობლად], ფინელი კომპოზიტორის სწავლობდა ჰელსინკიში, ბერლინსა და ვენაში. ს-ის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდ საორკესტრო თხზულებებს (7 სიმფონია და 14 სიმფ. პოემა, 1892—1929). ს. ეროვნ. მუს. სკოლის ფუძემდებელია. მის მუსიკაში ნათლად იკვეთება ფინური ხალხ. მუსიკის კილო-ჰარმონიული და რიტმული თავისებურებანი. ნაწარმოებები: „კულერვო-სიმფონია“ (ეროვნ. ეპოსის „კალევალას“ მიხედვით), სიმფ. პოემები, მ. შ. ციკლი „ლიამინკიაინენი“ (4 პოემა, მ. შ. „ტუონელის გედი“), „ჩრდილოეთის ასული“, „ტაპიოლა“, პატრ. იდეებით გაჟღენთილი I და II სიმფონიები, სიმფ. პოემა „ფინეთი“, საგუნდო ნაწარმოებები, მ. შ. კანტატა „მშობლიური მხარე“. ს-ის პროგრამული ნაწარმოებები იმპრესიონისტული შეფერილობით ხასიათდება: სიმფ. პოემები „საგა“, „გაზაფხული“, „ღამის ჯირითი და მზის ამოსვლა“, „დრიადები“, „ოკეანიდები“, IV სიმფონია და სხვ. ადრინდ. პერიოდის ზოგიერთი ნაწარმოები შექმნილია კლასიკური სქემიდან გადახვევით (II, IV და V სიმფონიები). მოგვიანებით ს. დაუბრუნდა კლასიკურ ფორმებს და შექმნა საუკეთესო ნიმუშები. პოპულარულია კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, ლირ. რომანსები „შავი კარდები“, „ლერწამი“ და სხვ., დრამ. თეატრის მუსიკა, საორკესტრო სიუიტა შექსპირის დრამისათვის „ქარიშხალი“, „სევდიანი ვალსი“. 1950-იდან ჰელსინკიში ყოველწლიურად (ივნში) იმართება ფესტივალი „სიბელიუსის კვირეული“.

სიბერეხტსი (Siberechts) იან [მოინათლა 29. I. 1627, ანტვერპენი, — 1703 (?), ლონდონი], ფლამანდელი ფერმწერი. მოღვაწეობდა ანტვერპენში, ლონდონში (1672-იდან). შემოქმედების ადრინდ. პერიოდში ქმნიდა იდეალიზებულ პეიზაჟებს; 1660-იანი წლებიდან ფლამანდ. ბუნებისა და სოფლური ყოფა-ცხოვრების ამსახველ რეალისტურ სურათებს („მწყემსი ქალი“, 1666, ერმიტაჟი, ლენინგრადი).

სიბილანტი, სისინის ან შიშინის მსგავსი ჟღერადობის მქონე სამეტყველო ბგერა. ქართულში 10 ს-ია. სმენითი შთაბეჭდილებით მათ ყოფენ სისინა (ზ, ს, ძ, ც, წ) და შიშინა (ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ) ს-ებად. სისინა ბგერებს ენა საწარმოთქმო ნაპრალს უქმნის, ჩვეულებრივ, ზედა საჭრელი კბილებისა და მათი ნუნების საზღვარზე, შიშინებს კი — ოდნავ უკან. მათი გარჩევა ნაპრალის სიდიდითაც შეიძლება.

შიშინა ს-ებს რბილ სასასთან შეიძლება ჰქონდეთ მეორე ნაპრალი (ფოკუსი). ამიტომ მათ ორფოკუსიანებსაც უწოდებენ.

ს. შეიძლება იყოს ნაპრალოვანი (სპირანტი) და აფრიკატი. ნაპრალოვანს საწარმოთქმო დაბრკოლებად მხოლოდ ნაპრალი აქვს, აფრიკატს კი — ჯერ ხშვა და მერე — ნაპრალი. ქართულში ნაპრალოვანი ს-ებია ზ, ს, ჟ, შ, ხოლო აფრიკატი ს-ები — ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ. ზ. ჯაფარიძე.

სიბიუ (Sibiu), ქალაქი ცენტრ. რუმინეთში, მდ. ჩიბინის (მდ. ოლტის შენაკადი) ნაპირზე. სიბიუს ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 161 ათ. მცხ. (1981). ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრი და სატრანსპ. კვანძი. მანქანათაშ., საფეიქრო, კვების მრეწვ., ტყავ-ფეხსაცმლის, ხე-ტყის სახერხი, ავეჯის, საპარფიუმერიო, პოლიგრ. მრეწვ. საწარმოები. ტურიზმი. არქიტ. ძეგლები.

სიბიუ (Sibiu), ჟუდეცი ცენტრ. რუმინეთში, ტრანსილვანიის პლატოზე და სამხრ. კარპატების ძრდ. კალთებზე. ფართ. 5,4 ათ. კმ². მოსახლ. 492 ათ. კაცი (1979). ადმ. ც. — ქ. სიბიუ. განვითარებულია მანქანათაშ. (ჟუდეცის მრეწვ. მთლიანი პროდუქციის 40%), საფეიქრო და კვების მრეწვ., არის ფერადი მეტალურგიის, ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო, ქიმ., ხის დასამუშ., მინის, ფაიფურ-ქაშანურის, საშენ მასალათა, პოლიგრ. მრეწვ. საწარმოები. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ქერი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, სელი, კანაფი. მთისწინეთში ბაღებია, ტირნავა-მარეს ხეობაში — ვენახები. განვითარებულია მეცხოველეობა.


სიბლანტე, შიგა ხახუნი, 1. სითხეებისა და აირების თვისება წინააღმდეგობა გაუწიონ თავიანთი ერთი ნაწილის გადაადგილებას მეორის მიმართ. რაოდენობრივად ს-ს ახასიათებენ ŋ სიდიდის მნიშვნელობით. ამ სიდიდეს დინამიკური ს-ის კოეფიციენტს ან მარტივად სიბლანტეს (შიგა ხახუნის კოეფიციენტს) უწოდებენ. მილში ბლანტი სითხის ლამინარული დინებისას სითხის მოძრაობის *v* სიჩქარე იზრდება კედლთან თავისი ნულოვანი მნიშვნელობიდან ღერძის გასწვრივ მაქს. მნიშვნელობამდე. სხვადასხვა სიჩქარით მოძრავ შრეებს შორის მოქმედებს შიგა ხახუნის მხები ძალები: სწრაფად მოძრავი შრე თან წარიტაცებს ნელა მოძრავ შრეს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ამუხრუჭებს პირველს. ხახუნის *σ* ძაბვა (შრის ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ხახუნის ძალა) აკმაყოფილებს ნიუტონის კანონს:

$$\sigma=\eta(dv/dl),$$

სადაც dv/dl სიჩქარის გრადიენტია (dv არის დინების სიჩქარის ცვლილება შრის ზედაპირიდან dl მანძილზე ამ ზედაპირისადმი პერპენდიკულარული მიმართულებით). აირებში ს-ს ძირითადად განაპირობებს მოლეკულების სითბური მოძრაობა, რ-ის დროსაც ისინი ერთ-ერთი შრიდან მეორეში გადადიან. აირების ს. ტემპ-რის გადიდებისას იზრდება. სითხეების ს. ძირითადად განისაზღვრება მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებით და ტემპ-რის შემცირებით იზრდება. 1/ŋ სიდიდეს უწოდებენ დენადობას, ხოლო $\nu=\sigma/\eta$ (სადაც ρ სიმკვრივეა) — კინემატიკურ ს-ს. *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) ŋ ზომავენ პა·წმ-ით, ხოლო ν—მ²/წმ-ით, CGS სისტემაში ŋ ზომავენ პ-ით (*პუაზებით*), ν კი სტ-ით (*სტოქსებით*).

2. ს. მყარ სხეულებში, სხეულების თვისება შეუქცევად შთანთქან ენერგია პლასტ. დეფორმაციისა და დრეკადობის დროს. მყარ სხეულებში ს. ხასიათდება მრავალი თავისებურებით, რის გამოც იგი ცალკე განიხილება (იხ. *ბახუნი შინაგანი* მყარ სხეულებში).

ს. ნივთიერების მნიშვნელოვანი ფიზ.-ქიმ. მახასიათებელია. ს-ის მნიშვნელობას ითვალისწინებენ სითხეებისა და აირების მილებით (ნავთობ- და აირსადენები) გადატუმბვის დროს. გამდნარი წიდის ს-ს დიდი მნიშვნელობა აქვს ბრმედულ და მარტენის პროცესებში. გამდნარი მინის ს. განსაზღვრავს მისი გამომუშავების პროცესს. ხშირად ს-ის მიხედვით აფასებენ წარმოების პროდუქტების ან ნახევარპროდუქტების მზადობას ან ხარისხს, რადგან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ნივთიერების სტრუქტურასთან და ასახავს მასალის იმ ფიზ.-ქიმ. ცვლილებებს, რ-ებიც ხდება ტექნოლ. პროცესების დროს. ზეთის ს-ს დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანებისა და მექანიზმების შეზეთვის გაანგარიშებისას და ა. შ.



ნორმალური ბლანტი სითხეებისათვის კაპილარში დროის ერთეულში გამდინარე სითხის რაოდენობასა (Q) და წნევას (*p*) შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება.

ს. ბიოლოგიური სისტემებისა უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება სტრუქტურული ს-ით. ციტოპლაზმის ს. დაკავშირებულია მისი შემადგენელი პოლიმერებისა და სუბუჯრედული წარმონაქმნების სტრუქტურასთან. ციტოპლაზმის აბსოლ. ს. მერყეობს 2-იდან 50 *პპზ*-მდე (1 *პპზ* = 10^{-3} *ნ·წმ/მ²*). იგი სხვადასხვაგვარია უჯრედის სხვადასხვა ადგილას და უჯრედული ციკლის სხვადასხვა პერიოდში. ტემპ-რის დაწევისას 12—15°-ზე ქვემოთ და აწევისას 40—50°C-ის ზემოთ ციტოპლაზმის ს. მკვირდება. დასხივებისას ს. ჯერ მცირდება, შემდეგ კი, დასხივების დოზის გაზრდისას, იზრდება. ადამიანის სისხლის ნორმ. ს. 4—5 *პპზ*-ია, პათოლ. დროს კი მერყეობს 1,7-იდან 22,9 *პპზ*-მდე, რაც გავლენას ახდენს ერითროციტების დალექვის რეაქციაზე.

ლიტ.: Голубев И. Ф., Вязкость газов и газовых смесей, М., 1959; Руководство по цитологии, т. 1—2, М.—Л., 1965—66.

სიბლანტე მაგნიტური, ფერომაგნეტიკების მაგნიტური მახასიათებლების (დამაგნიტებულობის, მაგნიტური შეღწევადობისა და სხვ.) ცვლილებების ჩამორჩენა დროის მიხედვით გარე მაგნიტური ველის დაძაბულობის ცვლილებებისაგან.

სიბო (საკ. სახელწ. სიბო, სიბე, სიბო მანჯუ), ჩინეთში სინძიან-უიღურის ავტონ. რ-ის ჩრდ.-დას. და ნაწილობრივ ლიაონინისა და ძილინის პროვინციებში მცხოვრები ხალხი. წარმოშობით და კულტურით ახლოს არიან მანჯურიელებთან. რაოდ. დაახლ. 30 ათ. კაცი (1978, აღწერა). ენა — მანჯურიული ენის დიალექტი. დამწერლობა — მანჯურიული. რელიგია — შამანობა. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, დამხმარე — მეცხოველეობა, თევზჭერა.

სიბორგი (Seaborg) გლენ თეოდორ (დ. 19. IV. 1912, იშპემინგი, მიჩიგანის შტ.), ამერ. ფიზიკოსი. დაამთავრა ლოს-ანჯელესის უნ-ტი (1934), მიიღო ფილოს. დოქტორის ხარისხი კალიფორნიის უნ-ტში (1937), მუშაობდა იქვე (1945-იდან პროფესორი), 1958—61 უნ-ტის პრეზიდენტი. 1942—46 მუშაობდა ჩიკაგოს მეტალ. ლაბორატორიაში სამრეწვ. მასშტაბით პლუტონიუმის მიღების პრობლემაზე. 1954—61 და 1971-იდან ბერკლის რადიაციული ლაბორ. მეორე დირექტორი. 1961—71 აშშ-ის ატომური ენერგიის კომისიის თავ-რე. ე. მაკმილანთან ერთად სინთეზირებით მიიღო პლუტონიუმი (1940—41), სხვა მეცნიერებთან ერთად აღმოაჩინა ამერიციუმი, კიურიუმი (1944), ბერკლიუმი (1949), კალიფორნიუმი (1950), აინშტაინიუმი (1952), ფერმიუმი (1953), მენდელევიუმი (1955). ბოლო წლებში მონაწილეობდა უფრო მძიმე ელემენტების სინთეზირებაში. ნობელის პრემია (1951; ე. მაკმილანთან ერთად). სსრკ მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1971).

თხზ.: Человек и атом, М., 1973 (თანაავტ.: У. Корлифф); Трансурановые элементы, М., 1959 (თანაავტ.: И. К. Хайд).

სიბრძავე, მზედველობის მყარი, შეუქცევადი დაკარგვა ორსავე თვალში, რო-



გ. სიბორგი.

დესაც შეუძლებელი ხდება სინათლის გარჩევა სიბნელისაგან (ე. წ. აბსოლუტური ს.) და მხედველობა უდრის ნულს. პრაქტ. და სოც. გაგებით ს-ის ცნება უფრო ფართოა — ადამიანი ითვლება ბრმად, როდესაც კარგავს გარემოში ორიენტირების უნარს, არ შეუძლია გადაადგილება სხვის დაუხმარებლად, თუმცა შეიგრძნობს სინათლეს და შეუძლია უჩვენოს მისი მიმართულება, არჩევს დიდი საგნების კონტურებს და სხვ. განარჩევენ ყოფით ს-ს (განეკუთვნება ყველა პრაქტიკულად ბრმა ადამიანი, რ-საც მხედველობის სიმახვილე მკეთრად აქვს დაქვეითებული — 0,02%-მდე), საწარმოო ს-ს (როდესაც მხედველობა იმდენად დაქვეითებულია, რომ ადამიანს არ შეუძლია მუშაობა ნებისმიერი ოპტიკური ხელსაწყოების დახმარებითაც კი) და პროფესიულ ს-ს (მხედველობა დაქვეითებულია იმ დონემდე, რომ ადამიანს არ შეუძლია მისთვის ჩვეული სამუშაოს შესრულება, მაგ., გონებრივი შრომის პირს არ შეუძლია კითხვა). ს-ის მიზეზი უმეტესად არის *გლაუკომა*, *ტრაქომა*, თვალის ტრავმა. ს-თან ბრძოლა დაფუძნებულია იმ დაავადებათა პროფილაქტიკაზე, რ-ებიც ს-სა და თვალის ტრავმას იწვევენ. სსრკ-ში იყენებენ გლაუკომის ადრეული დიაგნოსტიკის, აგრეთვე გლაუკომით დაავადებულთა დისპანსერული მომსახურების მეთოდებს, თანამედროვე თვალის ქირურგ. მიღწევების შედეგად ზოგიერთი კატეგორიის უსინათლოებს ამა თუ იმ ხარისხით უბრუნებენ მხედველობას.

1925 შეიქმნა უსინათლოთა სრულიად რუს. საზ-ბა; ანალოგიური საზ-ბები არის სსრკ რესპუბლიკებშიც. ბრმა და სუსტი მხედველობის მქონე ბავშვების საყოველთაო აუცილებელი სწავლებისათვის სსრკ-ში შექმნილია სპეც. ზოგადსაგანმან. სკოლების ქსელი (იხ. *ტიფლოპედაგოგიკა*, *ტიფლოტექნიკა*). ბრმა ბავშვები და მოზრდილები პროფსაწარმოო მომზადებას იღებენ უსინათლოთა საზ-ბის სასწ. საწარმოებში, სადაც სწავლების დამთავრების შემდეგ შეუძლიათ სამუშაოდ დარჩენა (ან თავისი სურვილისამებრ გადასვლა სხვა საწარმოში). უსინათლოთათვის გამოდის სასწ. მხატვრული და სხვ. ლიტერა, ჟურნალები, რ-ებიც დაბეჭდილია *ბრაილის შრიფტით*; შექმნილია სპეც. ხმის ჩამწერი და ფონეტ. სტუდიები და სხვ.

ლიტ.: Многотомное руководство по глазным болезням, под ред. В. Н. Архангельского, т. 1, кн. 2, М., 1962.

სიბრტყე, გეომეტრიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება. გეომ. სისტემური გადმოცემისას „ს-ის“ ცნებას ჩვეულებრივ მიიჩნევენ ერთ-ერთ გამოსავალ ცნებად, რ-იც მხოლოდ გეომეტრიის აქსიომებით განისაზღვრება. ს-ის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება: 1. ს. არის ზედაპირი, რ-იც მთლიანად მოიცავს მისი ორი ნებისმიერი წერტილის შემაერთებელ წრფეს; 2. ს. არის სიმრავლე წერტილებისა, რ-ებიც თანაბრადაა დაშორებული ორი მოცემული წერტილიდან.

„სიბრძნე ბალავარისი“, შუა საუკუნეების პოპულარული ჰაგიოგრაფიულ-მორალური ხასიათის სასულიერო რომანის „ბალავარიანის“ ქართული რედაქცია. თხზულება ინდ. წარმოშობისაა. ქართულად იგი არაბ. ენიდან უნდა იყოს გადმოკეთებული. მასში მოთხრობილია ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავი: ინდ. მეფის აბენესის ვაჟს იოდასაფს ქრისტიანობაზე მოაქცევს მეუდაბნოე ბალავარი. იოდასაფი ქრისტიანობას ინდ. სახელმწ. რელიგიად გამოაცხადებს. თხზულება შუა საუკუნეებში ინტერესს იწვევდა თხრობის იგავარაკული სტილით (ბალავარის ბრძნული შეგონებანი იოდასაფისადმი წარმოდგენილია იგავებად) და სიუჟეტის რომანული ელემენტით (იოდასაფს ცთუნების მიზნით მეფე ულამაზეს ასულებს მიუჩენს, ერთი მათგანი უფლისწულს შეუყვარდება).

ქართ. ხელნაწერებში ამ თხზულების 2 რედაქციაა დაცული: ვრცელი — „ცხოვრებაჲ იოდასაფისი“ და მოკლე — „ს. ბ.“ ვრცელი რედაქცია ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთ ხელნაწერით (Тер. № 140, XI ს., გამოიცა 1957). დღეისათვის გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ვრცელი რედაქცია IX—X სს-ში უნდა იყოს შექმნილი, ხოლო მოკლე — X ს. დამლევს თუ XI ს-ში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ვრცელი რედაქციის შემოკლებაა, თუმცა მასში სხვა წყაროებიც უნდა იყოს გამოყენებული. მკვლევართა აზრი ვრცელი და მოკლე რედაქციის მიმართებაზე ერთგვარი არ არის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მოკლე რედაქცია უსწრებს ვრცელს, ზოგის აზრით კი ვრცელი და მოკლე რედაქციები საერთო დედნიდან მომდინარეობს.

„ბალავარიანის“ ქართ. ვერსია რომანის პირველი ქრისტ. გადამუშავება უნდა იყოს. იგი შუალედური საფეხურია ამ სიუჟეტის აღმოსავლურ (სანსკრ., ფალ., არაბ.) და დასავლურ (ბერძნ.) გადამუშავებას შორის. შუა საუკ. ევროპაში უაღრესად პოპულარული „*ვარლაამისა და იოასაფის*“ რომანი ქართ. ვერსიიდან უნდა იღებდეს სათავეს.

„ს. ბ.“ თარგმნილია რუს. და ინგლ. ენებზე. რუსულად მოკლე რედაქცია თარგმნა ი. ჯავახიშვილმა (პეტერბურგი, 1899), ვრცელი რედაქცია — ბ. აბულაძემ (თბილისი, 1962); ინგლისურად — მოკლეც (ლონდონი, 1957) და ვრცელი (ლონდონი, 1966) რედაქციაც — დეივიდ ლენგმა.

გამოც.: ბალავარიანის ქართული რედაქციები (გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ), თბ., 1957.

ლიტ.: კეკელიძე კ., ბალავარიანის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში, შის წგნ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 6, თბ., 1960. იხ. აგრეთვე სტ-თან „ვარლაამი და იოასაფი“. *ე. ბინთაძე.*

„სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“ („სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“), ზოგადი სახელწოდება ძვ. ქართული აპოფთეგმური კრებულებისა, რ-ებშიც თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ბრძენთა შეგონებანი (სენტენცია აფორიზმები, გნომები, ბრძნული გამონათქვამები, ანეკდოტები). ქართ. მწერლობაში ცნობილია რამდენიმე ასეთი კრებული: „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი“, „სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთაჲსა“, „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“ (XI—XII სს.), „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი შევნიერნი“ (XVI—XVII სს.), „სიტყვისგება სოკრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა“ (XVIII ს.) და სხვ. ზოგი მათგანი შედგენილია ქართ. მასალის საფუძველზე, ზოგიც თარგმნილია ბერძნ. ან რუს. ენიდან. ტექსტები გამოკვლევითა და კომენტარებითურთ გამოსცეს ი. ლოლაშვილმა (1969) და ლ. ძოწენიძემ (1978).

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958. *ი. ლოლაშვილი.*

სიბუიანი (Sibuyan), კუნძულთშორისი ზღვა ფილიპინის არქიპელაგში, პანაის, ტაბლასის, მარინდუკეს, ლუსონისა და მასბატეს კ-ებს შორის. სიღრმე 1700 *მ*-მდე. ზღვის ცენტრ. ნაწილში მდებარეობს კ. სიბუიანი. ჰავა ტროპიკულია. ნალექები 3000 *მმ*-მდე წელიწადში. ზშირია ტაიფუნი. წყლის ტემპ-რა 23—28°C, მარილიანობა 32,0—32,5‰. მოქცევა არასწორი ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 2 *მ*-ზე მეტი.

სიბა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში. ფართ. 4 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,1 მლნ. კაცი (1982), აქედან დაახლ. 1/2 ქალაქში ცხოვრობს, ადმ. ც. — ქ. ოცუ. ს-ის პრეფექტურა შედის კანსაის (კინკი) ეკონ. რ-ნის შემადგენლობაში. ეკონ. მთავარი დარგია სოფ. მეურნეობა. მოჰყავთ უმთავრესად ბრინჯი, აგრეთვე ხორბალი, ქერი. მთების დატერასებულ კალთებზე ჩაის პლანტაციები, ბოსტნები და თუთის ნარგაობა. ბივის. ტბაში იჭერენ თევზს. განვითარებულია საფეიქრო მრეწვ., ელექტრომანქანათმშ., საერთო მანქანათმშენებლობა. არის მინა-კერამ., ფარმაცევტული და ხის დასამუშ. საწარმოები. ტურიზმი.

სიგბანი, ზიგბანი (Siegbahn) კარლ მანე გეორგ (დ. 3. XII. 1886, ერებრუ), შვედი ფიზიკოსი, შვედური სამეფო მეცნ. აკად. წევრი (1922). ლუნდის უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1911) იყო ი. რიდბერგის ასისტენტი იქვე, 1920—23 — ამ უნ-ტის პროფესორი. 1923—37 უფსალის უნ-ტის პროფესორი. 1937-იდან შვედეთის სამეფო მეცნ. აკად. ნობელის ფიზ. ინ-ტის დირექტორი. უმთავრესად შრომები აქვს რენტგენის სხივების სპექტროსკოპიაში (1912—37) და ბირთვულ სპექტროსკოპიაში (1937-იდან). დაამზადა მცირე სიგანის დიფრაქციული მესერი (1 *მმ*-ზე 1800 დანაყოფს), რ-ის მეშვეობით გაზომა რბილი რენტგენის სხივების ტალღის სიგრძეები. ს. ბირთვული სპექტროსკოპიის ფუძემდებელია. ნობელის პრემია (1924). ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1933). სსრკ მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1958).

სიგელი (<ლათ. sigillum — ბეჭედი, საბეჭდავი), 1. საბუთი ძვ. საქართველოში. ტერმ. „ს.“ ქართულში ბიზანტ. სამდიპლომწიგნობრო ენიდან შემოვიდა დაახლ. X ს-ში. მანამდე საბუთების საზ. სახელად მიღებული იყო „დაწერილი“. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ს. არის „წყალობის წიგნი“, „მეფეთაგან მინიჭების წერილი“. X ს-იდან XIV—XV სს-მდე „ს.“ მხოლოდ მეფის ნაბოძებ საბუთს ეწოდებოდა (ყველა დანარჩენ საბუთს „დაწერილი“ ერქვა). შემდეგ კი „ს.“ ყოველგვარი საბუთის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა, ხოლო XVI ს-თვის მან სავსებით შეცვალა „დაწერილი“ (ტერმ. „ს-ის“ მაგივრად ხშირად „გუჯარიცა“ და „წიგნიც“ იხმარებოდა. იხ. სტატიები: *გუჯარი*, *წიგნი*).

საისტ.-იურიდ. წყაროებში სხვადასხვაგვარი სამართ. შინაარსისა და დანიშნულების ს. იხსენიება. ჩვეულებრივ ს-ები „მკვიდრობისანი“ (შთამომავლობითი, მემკვიდრეობითი) იყო. წყალობა-ბოძებას ასახავდა და განამტკიცებდა „სიგელი შეუვალობისაჲ“ ანუ „თარხნობისა“ თუ „გაშვებულობისა“, „მამულის წყალობის სიგელი“ და სხვ. არსებობდა აგრეთვე „გარდაწყვეტილობის“ ანუ „სამართლის სიგელი“, ყმობიდან „თავდახსნილობის სიგელი“, „გასყიდულობის“, „გასამყრელო“ და „ერთგულობის“ ს-ები. ცნობილი იყო *სიგელსან* გლეხთა კატეგორია (მათი უფლება-მოვალეობანი წერილობით იყო განსაზღვრული). გარეგნულად განირჩეოდა „დიდნი და წვრილნი“ ს-ები. „ერთიანი სიგელი“ ერთი პირისა თუ დაწესებულების საბუთთა საერთო შინაარსს შეიცავდა. შეიძლებოდა „განრყვნილი“ ანუ დაზიანებული და დაკარგული ს-ის აღდგენა-განახლება. ვახტანგ VI-ის კანონების (მ. 240), „სიგელის წართმევის სამართალი“ ხელმწიფის კომპეტენციაში შედიოდა. ნატყვარი, „ცრუ სიგელი“ პრაქტ. *დიპლომატიკის* ხერხებით გამოიცნობოდა.

ს. რთული აგებულებისა იყო, რამდენიმე ნაწილისა და ქვენაკვეთისაგან შედგებოდა. ძირითადი იყო ს-ის თავი (შეიცავდა, კერძოდ, ცნობებს საბუთის მიმცემის ვინაობის შესახებ), თხრობა ჰაჯამოხსენებითურთ (იხ. აჯა), „განგებუ-

ლება" (გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნა) და „ხელრთულობა-სათვალავი" (თარიღი, დამწერის ვინაობა, ხელის მოწერა). XI—XIV სს. ს-ებში მეფე საბუთის გამცემად მხოლოდ თავის თავს ასახელებდა, ხოლო XVI ს-იდან იხსენიებდა აგრეთვე თანამეცხედრესა და შვილებს, ზოგჯერ ძმებსა და ბიძა-ბიძაშვილებსაც კი, რაც ქართ. სახელმწიფოებრიობის დაქვეითებით აიხსნება. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, ს. იბეჭდ ოდა საგანგებო (დიდი „სასიგლე, საგასაჩსნითე") *ბეჭდით*, რ-იც *სალაროში* ინახებოდა. ს-ის პატრონი საბუთის შემზადება-გაცემაში მონაწილე მოხელეებს (*მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, სახლთუხუცესს, მწიგნობარსა* თუ *მდივანს, მორდალსა* და სხვ.) კანონით დადგენილ გასამრჯელოს — „ქრთამს" აძლევდა.

2. *დოკუმენტის* ნაირსახეობა: დიპლ. წარმომადგენლის *რწმუნებულების სიგელი* და *გაწვევის სიგელი*; რაიმე წარმატება-წარჩინებისათვის, ამა თუ იმ დამსახურების აღსანიშნავად გაცემული საგანგებო საბუთი (ქების ს., *საპატიო სიგელი*).

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ე. დოლიძის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1963—65; ტ. 5—6, თბ., 1974—77.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 3, თბ., 1966; ბერძენიშვილი მ., ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1978, [ტ.] 5; გრიგოლია კ., იმერული სიგელების შედგენილობის საკითხისათვის XVI—XVIII სს., «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წიგნათ და ეხლა, წგნ. 3, ნაკვ. 2— ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926.

ი. ფუტკარაძე.

სიგერ ბრაბანტელი (Siger de Brabant), დაახლ. 1235 — დაახლ. 1282. ორეიენტი), ნიდერლანდელი ფილოსოფოსი, პარიზის უნ-ტის ხელოვნ. ფაკ-ტის პროფესორი, ლათ. *ავეროისმის* მამამთავარი, დასავლეთის ფილოსოფიაში ორმაგი ჭეშმარიტების თეორიის ფუძემდებელი. იცავდა სამყაროს მარადიულობისა და ყოველ ადამიანში ინტელექტის ერთიანობის (მონოფსიქიზმი) იდეებს. უარყოფდა ღმერთის ნებისყოფის თავისუფლებას. თვლიდა, რომ ფორმები მატერიაში ჩაისახება და მის გარეშე ისინი არ არსებობენ. სასტიკად ებრძოდნენ ალბერტ დიდი და თომა აკვინელი, სდევნიდა ეკლესია.

გ. თევზაძე.

სიგი (Coregonus), თევზების გვარი *ორაგულისებრთა* ოჯახისა. აქვს მსხვილი ქერცლით დაფარული სხეული, რ-ის სიგრძე 75 *სმ*, მასა 8 *კგ*. იშვიათად 16 *კგ* აღწევს. აქვს ვერცხლისფერი გეერდები, მუქი ზურგი, პატარა პირი. დიდი რაოდენობითაა გავრცელებული ჩრდ. ყინულოვანი, ატლანტის და წყნარი ოკეანეების აუზებში. საქართველოში 1930-იდან აკლიმატიზებულია ტაბაწყურის ტბაში. არის გამსვლელი, ტბის და მდინარის ფორმები. ტოფობენ სექტ.-ნოემბ.-ში. იკვებებიან უხერხემლო ცხოველებით, ნაწილობრივ თქვზებით. ს. ძვირფასი სარეწაო ობიექტია. იყენებენ ნედლს, დამარილებულს, შებოლილს.

მ. დემეტრაშვილი.

სიგიზმუნდ I (ლათ. Sigismundus, გერმ. Siegmund) (15. II. 1368, ნხურნბერგი,—9. XII.1437, ცნაიმი, ახლანდ. ზნოიმო, ჩეხოსლოვაკია), „სალთო რომის იმპერიის" იმპერატორი 1410—37, უნგრ. მეფე 1387—1437 (უნგრ. მეფის ასულზე დაქორწინების შედეგად), ჩეხიის მეფე 1419—21, 1436—37. *ლუქსუმბურგების* დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. მეთაურობდა დას. ევრ. ფეოდალთა ჯვაროსნულ ლაშქრობას ოსმალების წინააღმდეგ. ნიკოპოლის ბრძოლაში 1396 ს. I დაამარცხა *ბაიაზიდ I-ს*. იყო *კონსტანცის საეკლესიო კრების* (1414 — 18) ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე. თავისი ძმის, ჩეხიის მეფის ვაცლავ IV-ის გარდაცვალების შემდეგ ჩეხიის მეფე. ებრძოდა ჰუსიტურ რევ. მოძრაობას (იხ. *ჰუსიტური ომები*). რომის პაპთან ერთად მოაწყო ჯვაროსნული ლაშქრობა ჰუსიტების წინააღმდეგ. 1421 გადააყენეს ჩეხიის ტახტიდან, 1436 კვლავ აღადგინეს ჩეხიის მეფედ.

სიგიზმუნდი (Zygmunt), პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდი სამთავროს მეფეთა სახელი: **ს. I მოხუცებული** (1. I. 1467—1. IV. 1548), პოლონეთის მეფე და ლიტვის დიდი მთავარი 1506-იდან. მისმა ჟღმოსავლეთის ექსპანსიამ (1507—37 შესევნებებით), შეასუსტა პოლ. პოზიციები დას. ევროპაში. 1515 დადო ხელშეკრულება *ჰაბსბურგებთან*, რითაც შეამზადა ნიადაგი ჰაბსბურგების ხელში ჩეხიის და უნგრეთის გადასვლისათვის. 1519—21 ებრძოდა *ტევტონთა ორდენს*. **ს. II ავგუსტი** (1. VII. 1520, კრაკოვი, — 7. VII. 1572, კნიშინი), პოლონეთის მეფე და ლიტვის დიდი მთავარი 1548-იდან. *იაგელონების* დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. ლივონიის ომის დროს (1558—83) აქტიურად მონაწილეობდა ბალტიისპირეთის დაპყრობაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა *ლუბლინის უნიის* (1569) დადებაში. **ს. III ვაზა** (20. VI. 1566, გრიფსჰოლმის ციხე, შვეცია, — 30. IV. 1632, ვარშავა), პოლონეთის მეფე და ლიტვის დიდი მთავარი 1587-იდან. ხელს უწყობდა პოლ. კათოლ. რეაქციის დამკვიდრებას. 1592—99 შვეციის მეფე. ეროვნ. აჯანყების შედეგად ჩამოაგდეს შვეციის ტახტიდან. ცდილობდა ტახტის დაბრუნებას და უშედეგოდ ებრძოდა შვეციას 1600 — 11, 1617—20, 1621—29. დაებრძარა ჰაბსბურგებს 1618—20 აჯანყებულ ჩეხიასთან ბრძოლაში. 1609 სმოლენსკის ალყით დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ აშკარა ინტერვენცია, რ-იც დამარცხებით დამთავრდა.

სიგილარიასებრნი, სიგილარიასნაირნი (Sigillariaceae, Sigillariales), ნამარხ მცენარეთა ოჯახი და რიგი, ლიკოპოდიუმისნაირი ხისებრი მცენარეები. ცხოვრობდნენ კარბონულსა და პერმულ პერიოდებში. ჰქონდათ დაუტოტავი ან წვერში დიქოტომიურად დატოტვილი ღერო, რ-ის სიმაღლე 10—12 *მ* აღწევდა, სუსტად განვითარებული მერქანი და სქელი ქერქი, რ-ზეც ჩამოცვენილი ფოთლების ნაჭდევები რჩებოდა. სტრობილები განლაგებული იყო ღეროს ზედა ნაწილში.

სიგნოსანი, ყმა გლეხთა ერთ-ერთი კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. იხსენიება XIII ს. 2 დოკუმენტში: პირველ დოკუმენტში (1258 რკონის სიგელი) ს. გლეხებია, მეორეში — სოფლის მღვდლები. სახელწ. წარმოდგება სიტყვა „სიგელისაგან" (წერილობითი საბუთი), რ-შიც ჩამოთვლილი უნდა ყოფილიყო ს-ის უფლება-მოვალეობანი. შესაძლებელია ს. რქმეოდა აგრეთვე ყმას ვასალის მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ყმისა (ვასალი) და პატრონის (სენიორი) ურთიერთობა განსაზღვრული იქნებოდა სიგელში, რ-საც სენიორი აძლევდა ვასალს.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 1, ტფ., 1928.

ქ. გუჩუა.

სიგმა- და პი- ბმები (*σ*- და *π*-ბმები), კოვალენტური *ქიმიური ბმის* ტიპები, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ელექტრონული სიმკვრივის განაწილებით და სიმეტრიით. მარტივი ბმები ქიმ. ნაერთებში ჩვეულებრივ *σ*-ბმებია. ჯერად ბმებში მხოლოდ ერთია *σ*-ბმა. მაგ., სამმაგი ბმა (C≡C, N≡N) შედგება ერთი *σ*- და ორი *π*-ბმისაგან.

სიგნალები საზღვაო, გემებზე და გემბანიდან ინფორმაციის გადაცემის ნიშნების სისტემა. ს. ს. არის ბგერითი (ზარის, სასტვენის, საყვირისა და სხვ.) და დასანახავი, რ-საც განეკუთვნება: ალმების (სიგნალების საერთაშ. და სხვ. კრებულები), სემაფორის (ალმის, მექან. და სხვ. სემაფორი) ს. ს., სასიგნალო „ფიგურები" (ქანდარაზე და სხვ. აღმართული სფეროები, კონუსები და სხვ.), შუქსიგნალები (გემის პროჟექტორები, შუქი და სხვ.).

სიგნალი (ფრანგ. signal, გერმ. Signal< ლათ. signum—ნიშანი), ნიშანი, ფიზიკური პროცესი ან მოვლენა, რ-იც იძლევა ინფორმაციას რაიმე მოვლენის, ობიექტების მდგომარეობის ანდა მათვის, ბრძანების, შეტყობინების გადაცემის შესახებ და ა. შ. ს-ების ერთობლიობის საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი რთული მოვლენის წარმოდგენა. ს. თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მექან., თბური, სხივური, ელექტრული, ელექტრომაგნ., ბგერითი და სხვ. განასხვავებენ აგრეთვე დისკრეტულსა და უწყვეტ სიგნალს. ამა თუ იმ ს-ის გამოყენება დამოკიდებულია ცნობის გადაცემის კონკრ. ამოცანის თავისებურებაზე, დაბრკოლებათა დონეზე და ა. შ.; ინფორმაციის დიდ მანძილზე გადაცემის დროს, აგრეთვე რადიოლოკაციურ და სანავიგაციო სისტემებში იყენებენ უმთავრესად ელექტრულ და ელექტრომაგნ. ს-ებს.


„ს-ის" ცნება პირველად მკაფიოდ ჩამოყალიბდა *კიბერნეტიკაში*. ინფორმაციის შემცველი ს. ოთხი კომპონენტის ერთიანობაა. ეს კომპონენტებია: ს-ის ფიზ. მატარებელი; ს-ის გამოსახვის ფორმა (სინტაქსი); ს-ის ინტერპრეტაციის შინაარსი (სემანტიკა); ერთი და იმავე ს-თვის სხვადასხვა შინაარსის მიწერის წესი (პრაგმატიკა). ს-ის შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემის ზოგად კანონზომიერებებს მათი ბუნებისაგან დამოუკიდებლად შეისწავლის *ინფორმაციის თეორია*. კიბერნ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სისტემის მიერ მიღებული ს-იდან სასარგებლო *ინფორმაციის* გამოყოფა, რასაც ფილტრაციის ამოცანას უწოდებენ.

სიგნალიზაცია, ყურადღების მიპყრობის, ცნობის, ბრძანების გადაცემისა და ორმხრივი ლაპარაკის უზრუნველსაყოფად *სიგნალის* გადასაცემი პირობითი ნიშნები, მოწყობილობათა სისტემები და სამარჯვები. ს. შეიძლება იყოს დასანახავი, ბგერითი და ტაქტილური. ს-ს იყენებენ რკინიგზაზე (იხ. *სარკინიგზო სიგნალიზაცია*), საავტ. ტრანსპორტზე (იხ. *საგზაო ნიშნები*), ავიაციაში, ენერგეტიკაში (მაგ., *მნემონიკური სქემა*), საწარმოში მანქანების, ჩარხების,—ტექნოლ. პროცესების მდგომარეობის საჩვენებლად. მაგ., საწარმოო დავალებისა და მისი შესრულების მიმდინარეობის შესადარებლად (იხ. *დისპეტჩერიზაცია*), შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად (იხ. *უსაფრთხოების ტექნიკა*) და სხვ. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ს. არის მაფრთხილებელი (მაგ., *რეგულირება საგზაო მოძრაობისა*), საავარიო (მაგ., *რელეური დაცვა*), გამოსაძახებელი (მაგ., *საბანძრო სიგნალიზაცია*), ოპერატიული (მოცემული პარამეტრების მიხედვით საწარმოო პროცესების კონტროლისა და განმკარგულებელი სიგნალის გამომუშავება) და სალაპარაკო (ოპერატ. კავშირის დამყარება საწარმოს ან სამზ. ქვედანაყოფებს შორის).

სასიგნალო მოწყობილობად იყენებენ საგზაო ნიშნებს, *გემის სინათლეებს*, *პროჟექტორებს*, *რადიოშუქურებს*, *სემაფორებს* და ა. შ.




სიგი. სიგი-ლუდოგა (Coregonus lavaretus ludoga).



სიგილარიასებრნი. სიგილარია (Sigillaria elegans). მცენარის საერთო ხედი.

სიგნალიზაცია ლოკომოტივისა. ავტომატური ლოკომოტივის სიგნალიზაციის სქემა: ლშ—ლოკომოტივის შუქნიშანი; დ—ლოკომოტივის დენიფრატორი; ეპს—ელექტროპნევმატიკური სარქველი; სს — სიფხიზლის სახელური; სჩს—სიჩქარის საზომი; მკ—მიმღები კოჭები; რსპ—რელსების სანაზღაურო პირაპირები; სმ—სალიანდაგო გადამცემი მოწყობილობები; სშ—საგზაო შუქნიშანი; ლკ — ლოკომოტივის კონტური; ფ—ელექტრული ფილტრი; მძ—მაძიებელი; მ—მწვანე; ყწ—ყვითელმწვანე; თ—თეთრი; ყ—ყვითელი; წ—წითელი





სიგულდა. ტურაიდის ციხე-დარბაზის შრგვალი კოშკი. 1214.

სიგნალიზაცია ლოკომოტივისა, სალიანდაგო და ლოკომოტივის მოწყობილობების ერთობლიობა, რ-იც მემანქანის კაბინაში მოთავსებულ შუქნიშანზე ავტომატურად აჩვენებს სალიანდაგო სიგნალების შესაბამის ნიშანს, მოწყობილობებთან მატარებლის მიახლოებისას. განასხვავებენ ს-ის წერტილოვანსა და უწყვეტ სისტემებს. წერტილოვან სისტემებში სალიანდაგო გადამცემ და ლოკომოტივის მიმღებ მოწყობილობებს შორის კავშირი მყარდება გზის განსაზღვრულ წერტილში. ს-ს ისეთ გზებზე იყენებენ, სადაც ბრ არის *ავტობლოკირება*. უწყვეტ სისტემებში სალიანდაგო და ლოკომოტივის მოწყობილობებს შორის კავშირი გზის ყოველ წერტილში მყარდება. ასეთ სისტემებში გადამცემი სალიანდაგო მოწყობილობები (სმ) დაშიფრავს სალიანდაგო შუქნიშნების (სშ) ჩვენებას, რ-ებიც ელექტრული კოდირებული სიგნალების სახით ლოკომოტივს გადაეცემა. ლოკომოტივის მიმღები კოჭები (მკ) იჭერს იმ მაგნ. ველის მოქმედებას, რ-იც რელსების ირგვლივ სასიგნალო დენით აღიძურება. სიგნალები გაიშიფრება ლოკომოტივის დეშიფრატორით და გარდაიქმნება ჩვენებად ლოკომოტივის შუქნიშანზე (ლშ). სსრკ რკინიგზის მაგისტრ. ხაზებზე ფართოდ იყენებენ ს-ის უწყვეტი სისტემის, სიფხიზლის საკონტროლო სისტემისა და სიჩქარის საკონტროლო სისტემის ერთობლიობას. სიფხიზლის საკონტროლო სისტემა ავტომატურად რთავს ელექტროპნევმ. სარქველს (ეპს) და აჩერებს მატარებელს, თუ მემანქანე 5—7 *წმ* განმავლობაში არ რეაგირებს ლოკომოტივის შუქნიშნის ჩვენებაზე. სიჩქარის საკონტროლო სისტემაში მემანქანეს ეძლევა მატარებლის სიჩქარის შემცირება ლოკომოტივის შუქნიშნის ჩვენების შესაბამისად. თუ მემანქანე არ ასრულებს მოცემულ პროგრამას, მატარებელი ავტომატურად ჩერდება.

სიგნალიზაცია სამხედრო, ბგერითი, რადიოტექნიკური და შუქსიგნალების გადაცემა და მიღება ჯარებში კავშირის დასამყარებლად. იყენებენ მოკლე ბრძანებების გადაცემის, თავიანთი ჯარების, თვითმფრინაეებისა და ხომალდების ურთიერთგამოცნობისა და აღნიშვნის, აგრეთვე მათი რადიოაქტ., ქიმ. და ბაქტერიოლოგიური მოწამვლისა და მტრის საჰაერო თავდასხმის შეტყობინების დროს. სიგნალები გადაიცემა რადიოთი, ტელეფონით, შუქნიშნებითა და ბგერითი საშუალებებით.



გ. სიდამონ-ერისთავი. „დღეი საკოლმეურნეო მინდვრებში“. 1941. საქართვ. ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

სიგნალური გამლიზიანებელი, იხ. *პირობითი რეფლექსი.*

სიგნატურა (გვიანდ. ლათ. signatura< ლათ. signo — მივუთითებ, აღვნიშნავ) პოლიგრაფიაში; 1. *თაბახის* რიგითი ნომერი, რ-იც მიწერილია ყოველი თაბახის პირველი სვეტის ქვედა მარცხ. კუთხესა და თაბახის მესამე სვეტში ვარსკვლავითურთ. კეთდება საკონტროლოდ წიგნის ბლოკის დაკომპლექტებისას; 2. *ლიტერის* ქვედა ნაწილში განივი ნახევარწრიული ჩალრმავება, რ-იც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს ლიტერის სწორი მდებარეობა სტრიქონში.

სიგუა ოთარ აკაკის ძე (დ. 21. III. 1923, თბილისი), ქართველი საბჭ. ნეიროქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1970), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). სკკპ წევრი 1943-იდან. 1944 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. დიდი სამამულო ომის დროს პოლკის სამედ.-სანიტ. ასეულის მეთაური იყო (1944—45). 1958—68 მუშაობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში, 1968-იდან ამავე ინ-ტის ნეიროქირურგ. განყ-ბის ხელმძღვანელია. ს. შეისწავლის ნეირონკოლოგიის, ნეიროტრავმატოლოგიის, ნეირორენტგენოლოგიისა და ეპილეფსიის ქირურგ. მკურნალობის საკითხებს. ეპილეფსიის დარგში ნაშრომების ციკლისათვის 1982 მიენიჭა (ავტორთა ჯგუფთან ერთად) საქ. სსრ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

თხზ.: Функциональная и стереотаксическая нейрохирургия, «საბჭოთა მედიცინა», 1979, № 4 (თანაავტ.); Диагностическая ценность пневмо-энцефалографии при поражении головного мозга, Тб., 1952.

სიგულდა (ყოფ. ზეგევოლდი), ქალაქი (1962-იდან) ლატვ. სსრ რიგის რ-ნში, მდ. გაუიის ნაპირზე და რიგა — ფსკოვის საავტ. გზაზე. რკინიგზის სადგური რიგა — ვალგის ხაზზე, რიგიდან 53 *კმ*. ს. ტურიზმისა და სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრია. სუვენირების წარმოება. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სანატორიუმი. ტურბაზა. ს-ში შემორჩენილია: მდ. გაუიის მარცხ. ნაპირზე — სიგულდის (1207—09; რამდენჯერმეა გადაკეთებული), მარჯვ. ნაპირზე—ტურაიდის (1214, გადაკეთებულია; მრგვალი კოშკი ახლა ნაწილობრივ რესტავრირებულია) და კრიმულდის (XIII ს. შუა წლები; მოგვიანებით გაფართოვდა) ქვის ციხე-დარბაზების ნანგრევები. საბჭ. პერიოდში განაშენიანდა ს-ის ახ. საზ. ცენტრი: უნივერმაღი (1962; არქიტ. ვ. სამტინია), კულტურის სახლი (1963, ა. ტიტმანე), დგას ცნობილი საზ. მოღვაწის ა. კრონვალდის ძეგლი (ბრინჯაო, 1938, მოქანდაკე ტ. ზალკალნსი).

სიგურანცა (Siguranţă), რუმინეთში 1921—44 საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის სახელი. დაარსდა რევოლუციური ორგანიზაციების დარბევისათვის და მუშათა და დემოკრ. მოძრაობასთან საბრძოლველად. 1944 სახ.-დემოკრ. წყობილების დამყარებისათვის ბრძოლის დროს ს. მოისპო.

სიგურდსონი (Sigurðsson) იოუნ (17. VI. 1811, დაბა პაფსეირი, დას. ისლანდია, — 7. XII. 1879, კოპენჰაგენი, დაკრძალულია რეიკიავიკში), ისლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. 1851-იდან ალთინგის დეპუტატი. იბრძოდა ისლანდ. ავტონომიის, შემდეგ კი დანიისაგან მისი სრული დამოუკიდებლობისათვის. 1874 წ. 5 იანვ. კონსტიტუციის ავტორი.

სიდა, სოფელი აფხ. ასსრ გალის რ-ნში, სამურზაყანოს დაბლობზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 20 *მ*, გალიდან 12 *კმ*. 2 მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა. 2 დაწყ. და 1 საშ. სკოლა, 4 საბავშვო ბაღი, 1 საბავშვო ბაგა, ბ-კა, 2 კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, აფთიაქი, 2 კავშირგაბმ. განყ-ბა.

სიდამო, ეთიოპიის სამხრ.-დას. მთებში მცხოვრებ ხალხთა ჯგუფის საერთო სახელწოდება. საერთო რაოდ. დაახლ. 700 ათ. კაცი (1979, შეფასება). ლაპარაკობენ *ქუშიტურ ენებზე*. უმრავლესობა ქრისტიანობას აღიარებს, ნაწილი — ისლამს. შენარჩუნებული აქვთ ტრად. ტომობრივი კულტები. მათი ძირითადი საქმიანობაა მთის მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და თევზჭერა.

სიდამონ-ერისთავი ვალერიან ვლადიმერის ძე (20. VI. 1889, ყვარელი, — 29. VI. 1943, თბილისი), ქართველი საბჭ. ფერმწერი, თეატრის მხატვარი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). თავდაპირველად მხატვრობას ეუფლებოდა თბილისში, კერძო სამხატვრო სტუდიაში (1909-მდე) ა. მრევლიშვილისა და ბ. ფოგელის ხელმძღვანელობით. 1909—15 სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. 1915 დაბრუნდა საქართველოში. 1916. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1925—43, 1938-იდან პროფესორი). 1914 ს.-ე-მა გაზ. „საქართველოში“ დაბეჭდა სოც. და სატირული ილუსტრაციები და კარიკატურები (ფანქარი, კალამი); შექმნა ისტ. ჟანრის ფერწერული ტილოები („თამარ მეფე“, 1917, აღმ. ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი, „კრწანისის ბრძოლა“, 1919, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი, თბილისი და სხვ.), ავრეთვე თანამედროვეთა პორტრეტები და პეიზაჟები. ადრინდ. პორტრეტებს შორის აღსანიშნავია „მწერალ დ. კლდიაშვილის პორტრეტი“, „უცნობი ქალის პორტრეტი“ (1915). „გოგონას პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი“ და სხვ.

1921-იდან ს.-ე-ის დაზგურ შემოქმედებაში ფართო ადგილი დაიკავა ისტ.-რევ. თემატიკამ და თანამედროვეობამ („წითელი კავალერია“, „დაძმობილება ფრონტზე“, „მშენებლები“, „წითელარმიელები კოლმეურნეობაში“, „დოღი საკოლმეურნეო მინდვრებში“ (1941). ქმნიდა პორტრეტებს („ივანე ჯაფარიძვილის პორტრეტი“, 1941) და სხვ. მხატვრულად აფორმებდა სპექტაკლებს: ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (1922), ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ზ. ფალიაშვილის „დაისი“ (1923), დ. არაყიშვილის „შოთა რუსთაველი“ (1924), რ. ვაგნერის „ლოენგრინი“, ი. შტრაუსის „ბოშათა ბარონი“, ზ. ფალიაშვილის „ლატავრა“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, ა. ბოროდინის „თავადი იგორი“, შ. გუნოს „ფაუსტი“ და სხვ.

ს.-ე-მა როგორც მხატვარმა, ნაყოფიერად იმუშავა კინემატოგრაფიაშიც. გააფორმა პირველი ქართ. კინოფილმები: „მამის მკვლელი“ (1923), „კრაზანა“ (1927), „კომუნარის ჩიბუხი“ (1929), „უკანასკნელი მასკარადი“ (1934) და სხვ. *ლ. თაბუკაშვილი.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 336.

სიდამონის ჯვარი, მთა გუდისის ქედზე, მდ-ების პატარა ლიახვისა და დიდი ლიახვის წყალგამყოფზე, მდ. ფოტნისის (პატარა ლიახვის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 2413 *მ*. აგებულია ქვედაცარცული ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. აღმ. და ჩრდ. კალთა ციცაბოა, სამხრ. და დას. — დამრეცი. მთის ძირი შემოსილია ფოთლოვანი ტყით, თხემი — სუბალპ. ბალახეულით.

გ. ჩანგაბეველი.

სიდანი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (ვანელის სოფსაბჭო), მდ. დი-

დი ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. **1200** *მ*, ჯვაედან 19 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 39 *კმ*. როკის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ქვემო ხვწეში (18 *კმ*).

ᲮᲘᲓᲐᲠ-ᲠᲔᲘᲞᲘᲓᲖᲘ (Cedar Rapids), ქალაქი აშშ-ის ცენტრ. ნაწილში, აიოვის შტატში, მდ. სიდარის ნაპირზე. 110 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 170 ათ. მეტი (1980). სატრანსპ. კვანძი. რადიოელექტრონული მოწყობილობის, სას.-სამ. ნაქსანების წარმოება, კვების (მ. შ. ხორცსაკონსერვო, რძის) მრეწველობა. სავაჭრო ცენტრი.

ᲡᲘᲓᲠᲐᲪᲘᲐ, მცენარის მწვანე მასის (მწვანე სასუქის) ჩახვნა ნიადაგში აზოტით და ორგანული ნივთიერებებით გასამდიდრებლად. სიდერატებად იყენებენ ძირითადად პარკოსან კულტურებს: ხანჭკოლას, სამყურას, იონჯას, ცერცველას, ბარდას, ჩიტიფეხას, ძიძოს, კურდღლისფრჩხილას, რ-ებიც ფესვებზე ბინადარი კოჟრის ბაქტერიებით ნიადაგს აზოტით ამდიდრებენ; არაპარკოსნებიდან — შვრიას, მდოგვს და სხვ. სიდერატებს მოყვანის ადგილას ჩახნავენ ნიადაგში ან თიბავენ, იყენებენ მულჩად ან ცხოველთა საკვებად, ამზადებენ კომპოსტსაც. ს-ით უმჯობესდება ნიადაგის ფიზ.-ქიმ. თვისებები (კლებულობს მჟავიანობა, იზრდება ბუფერობა, შთანთქმის ტევადობა, ტენტევადობა და ა. შ.), სახნავი ფენა მდიდრდება ორგ. ნივთიერებებით, მცენარეული მასის მინერალიზაციის შემდეგ კი ნიადაგში გროვდება აზოტი (შებოჭილი კოჟრის ბაქტერიების მიერ) და სხვა საკვები ელემენტები; იზრდება საპროფიტების, ნიტრიფიკატორების, ამონიფიკატორებისა და ფოსფობაქტერიის რაოდენობა (ამ უკანასკნელს შეუძლია ორგ. ნაერთიდან ფოსფორი გადაიყვანოს მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში); უმჯობესდება ქვიშნარი და მძიმე მექან. შედგენილობის ნიადაგების თვისებები. ს-ს მიმართავენ უმთავრესად კორდიან-ეწერ, წითელმიწა, ყვითელმიწა, წაბლა და რუხ-წაბლა ნიადაგებზე; თესავენ ანეულზეც საშემოდგომო მარცვლეულის დათესვამდე. დადგენილია, რომ ს-ით ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი 1 ჰა-ზე 59,9 ც-ით იზრდება. *ი. ნაკაიძე.*

ᲡᲘᲓᲔᲠᲘᲢᲘ (<ბერძნ. sidēros — რკინა), რკინის შპატი, კარბონატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Fe[CO_3]$. ხშირად, როგორც იზომორფულ მინარევებს, შეიცავს Mn, Mg, აგრეთვე Ca, Co, Zn. კრისტალდება ტრიგონურ სინგონიაში. აქვს რომბოედრული, ფირფიტისებრი, პრიზმული და სხვა ფორმის კრისტალები. ჩვეულებრივ გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატების, ნაღვენთების, კონკრეციებისა და სხვ. სახით. მოყვითალო-თეთრი, ნაცრისფერი ან მომწვანო-ნაცრისფერია. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 4,5; სიმკვრივე 3960 *კგ/მ*^{3}. ძირითადად წარმოიქმნება ჰიდროთერმული და დანალექი გზით, გვხვდება მეტამორფიზებულ წყებებშიც. რკინის მადნების ერთ-ერთი მირითადი მინერალია.

ᲡᲘᲓᲔᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘ, იხ. სტ. *ცელოსტატი.*

ᲡᲘᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲔ (<ლათ. sidus, ნათ. ბრ. sideris — ვარსკვლავი, ციური სხეული), დროის შუალედი მთვარის დედამიწისირგვლივ მოქცევისას ცაზე ვარსკვლავთა მიმართ ერთსა და იმავე წერტილში მის ორ თანამიმდევრულ გავლას შორის. მთვარის მოძრაობის უთანასწორობების გამო რამდენიმე *სთ* საზღვრებში მერყეობს და საშუალოდ შეიცავს 27,321661 საშ. მზისიერ დღე-ღ. იხ. აგრეთვე *სინოდური თვე.*

ᲡᲘᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ, დროის შუალედი, რ-იც სჭირდება რომელიმე თანამგზავრ სხეულს მთავარი სხეულის ირგვლივ ვარსკვლავთა მიმართ სრული გარშემოვლისთვის (მაგ., მთვარეს — დედამიწის, პლანეტას — მზის ირგვლივ და სხვ.). პლანეტის T ს. პ. მის S *სინოდურ პერიოდსა* და E *სიდერულ წელიწადს* უკავშირდება ფორმულებით: $1/T = 1/E - 1/S$, (ზედა პლანეტები), $1/T = 1/E + 1/S$ (ქვედა პლანეტები, აგრეთვე მთვარე).

ᲡᲘᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ, ვარსკვლავიერი წელიწადი, დროის შუალედი ცაზე მზის წლიური მოძრაობისას ვარსკვლავთა მიმართ ერთსა და იმავე წერტილში მის ორ თანამიმდევრულ გავლას შორის. უდრის დედამიწის მზისირგვლივი მოქცევის პერიოდს — 365, 25636 საშ. მზისიერ დღე-ღ.

ᲡᲘᲓᲘᲐᲜᲐᲠᲘ, სოფელი მესტიის რ-ნში (ლატალის სოფსაბჭო), მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1600 *მ*, მესტიიდან 13 *კმ*. ლატალის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. იენაშში (4 *კმ*).

ᲡᲘᲓᲜᲔᲔᲚ-ᲐᲑᲔᲘᲡᲘ, ქალაქი ჩრდ.-დას. ალჟირში, ორანის ვილაიაში. 158 ათ. მცხ. (1977). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო-სამრეწვ. ცენტრი. კვების, ტყავ-ფეხსაცმლის, მანქანათსაშ. მრეწვ. საწარმოები.

ᲡᲘᲓᲜᲘᲓᲔ, ერთ-ერთი ძირითადი მათემატიკური ცნება, რ-ის მნიშვნელობა მათემატიკის განვითარებასთან ერთად განიცდიდა განზოგადებას.

ჯერ კიდევ *ევკლიდეს „საწყისებში“* იყო ნათლად ჩამოყალიბებული თვისებები იმ ს-ებისა, რ-ებსაც ამჟამად სხვა განზოგადებისგან განსხვავებით, დადებით სკალარულ სიდიდეებს უწოდებენ. ს-ის ეს პირველსაწყისი ცნება არის უშუალო განზოგადება უფრო კონკრეტული ცნებებისა: სიგრძის, ფართობის, მოცულობისა და ა. შ., ყველა ერთგვაროვანი ს-ის (ე. ი. ყველა სიგრძის ან ყველა ფართობის, ყველა მოცულობის და ა. შ.) სისტემათა საზღვრებში დგინდება უტოლობის მიმართება; ორი ერთგვაროვანი a და b ს. ან ერთმანეთს ემთხვევა ($a=b$), ან პირველი ნაკლებია მეორეზე ($a<b$) ან მეორე ნაკლებია პირველზე ($b<a$). განსახილველი ერთგვაროვანი ს-ების სისტემაში შეტანილია აგრეთვე ოპერაცია $a+b=c$ ისე, რომ $a+b$ ოპერაცია და $a<b$ მიმართება აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: 1. როგორიც არ უნდა იყოს a და b, ადგილი აქვს სამი დამოკიდებულებიდან ($a=b$, $a<b$ ან $b<a$) ერთერთს; 2. თუ $a<b$ და $b<c$, მაშინ $a<c$ (ნაკლებობას ახასიათებს ტრანზიტულობა); 3. ყოველი a და b-თვის არსებობს ცალსახად განსაზღვრული ს. c ისეთი, რომ $c=a+b$; 4. $a+b=b+a$ (შეკრების კომუტატიურობა); 5. $a+(b+c)=(a+b)+c$ (შეკრების ასოციაციურობა); 6. $a+b>a$ (შეკრების მონოტონურობა); 7. თუ $a>b$, მაშინ არსებობს ერთადერთი ს. c ისეთი, რომ $b+c=a$ (გამოკლების შესაძლებლობა); 8. როგორიც არ უნდა იყოს a და n ნატურალური რიცხვი მოიძებნება ისეთი b, რომ $nb = a$ (გაყოფის შესაძლებლობა); 9. როგორიც არ უნდა იყოს ს. a და b, არსებობს ისეთი ნატურალური რიცხვი n, რომ $a<nb$ (ე. წ. *არქიმედეს აქსიომა*). იმისათვის, რომ მივიღოთ ს-ის დასრულებული თეორია, საჭიროა ჩამოთვლილ პირობებს დავუმატოთ კიდევ ერთი დამატებითი, ე. წ. უწყვეტობის აქსიომა, რ-იც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, მაგ. ასე: 10. თუ სიდიდეთა მიმდევრობას $a_1 < a_2 < \ldots < \ldots < b_2 < b_1$ აქვს ის თვისება, რომ $b_n - a_n < c$ ყოველი c ს-თვის საკმაოდ დიდი n-ნომრისათვის, მაშინ არსებობს ერთადერთი x ისეთი, რომ ის მეტია ყოველ a_n-ზე და ნაკლებია ყოველ b_n-ზე. ეს ათი თვისება სავსებით განსაზღვრავს დადებითს სკალარულ ს-თა სისტემის ცნებების თანამედროვე გაგებას.

უფრო ზოგადი გაგებით, ს-ს უწოდებენ აგრეთვე *ვექტორს, ტენზორს* და სხვა არასკალურ სიდიდეებს. ასეთი ს-ები შეიძლება შეკრიბოთ, მაგრამ მათთვის აზრს კარგავს უტოლობის მიმართება ($a<b$). იხ. აგრეთვე სტ. *მათემატიკა.*

ᲡᲘᲓᲘᲫᲐᲒᲘᲯᲝᲕᲘ თუგოლბაი [დ. 1 (14). V. 1912, აილი ქენსუ, ახლანდ. თუფის რ-ნი], ყირგიზი საბჭ. მწერალი. ყირგ. სსრ სახ. მწერალი (1968). ყირგ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1954). ნაწარმოებებს აქვეყნებს 1928-იდან. აქვს ლექსები შრომის თემაზე (კრებულები „ბრძოლა“, 1933; „გოლიათები“, 1936; „ბულბულ-პოეტი“, 1938), რომანები საკოლმ. თემაზე „ქენსუ“ (წგნ. 1—2, 1937—38), „ჩვენი დღეების ადამიანები“ (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), „მთის შვილები“ (1953), „მთებში“ (წგნ. 1—2, 1955—58, „ქენსუს“ გადამუშავებული ვარიანტი), „ქალები“ (ტრილოგია, 1—2, 1966).

ყირგ. სსრ III, V—VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით.

ᲡᲘᲓ ᲙᲐᲛᲞᲔᲐᲓᲝᲠᲘ (ესპ. Cid Campeador) ნამდვ. სახელი — როდრიგო დიას დე ბივარი (Diaz de Bivar) (1026 — 1043, ბივარი, — VII. 1099, ვალენსია), კასტილიელი (ესპანეთი) რაინდი. სახელი გაითქვა გმირობით *რეკონკისტის* დროს. ს. პ-ს მიეძღვნა ხალხ. ეპოსი „სიმღერა ჩემს სიდზე“ (XII ს.), აგრეთვე პ. *ჟორნელის* ტრაგედია „სიდი“ და სხვ.

ᲡᲘᲓᲜᲔᲘ, სიდნი (Sydney), ქალაქი ავსტრალიაში, მოსახლ. რაოდენობით ქვეყანაში უდიდესი. გაშენებულია პორტ-ჯექსონის ყურის ორივე ნაპირზე. ახალი სამხრ. უელსის შტატის ადმ. ცენტრი. 3,3 მლნ. მცხ. (1982).

დააარსეს ინგლ. კოლონისტებმა 1788 და უწოდეს ინგლ. შინაგან საქმეთა მინისტრის ლორდ სიდნის სახელი. XIX ს. 50-იან წლებში შეიქმნა პირველი პროფკავშირები. 1917 ივლ.-აგვ. დიდი გაფიცვის (მოწაწილეობდა 100 ათ-ზე მეტი კაცი) ცენტრი იყო. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ — მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ცენტრი.

ს. ქვეყნის მნიშვნელოვანი ინდუსტრ., სავაჭრო-საფინანსო ცენტრი და სატრანსპ. კვანძია. განვითარებულია სატრანსპ., ელექტროტექ. მანქანათმშ., ელექტრონული მოწყობილობის, სანგარიშო გამომთვლელი მანქანების, მაცივრების, იარაღების წარმოება, შავი და ფერადი მეტალურგია, აგრეთვე საფეიქრო, კვების, პოლიგრ. და სხვა მრეწვ., არის ავტოსაამწყობო ქ-ნები, მდინარეთა ხეობების გაყოლებით საგარეუბნო სოფ. მეურნეობაა. სამრეწვ. საწარმოები თავმოყრილია ყურის ჩრდ. ნაპირზე და გარეუბნებში, სავაჭრო და საფინანსო დაწესებულებები — სამხრ. ნაპირზე. ნაპირები შეერთებულია ხიდით (სიგრძე 2 *კმ*-მდე), რ-ის ქვეშ გადის დიდი საოკეანო გემები. ნავსადგური (ტვირთბრუნვა დაახლ. 14 მლნ. ტ წელიწადში). ქალაქის მახლობლად — საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი.



სიდნეი. ქალაქის ერთ-ერთი ნაწილის ხედი.



ს. სიდნზი.



ს. სიდონზი ლედი მაკბეთის როლში (უ. შექსპირის „მაკბეთი").



ა. სიდორენკო.

ქალაქის ცენტრი განაშენიანებულია XIX ს. ეკლექტიკური შენობებით. XX ს-ში ქალაქი ინტენსიურად იზრდება. თანამედროვე განაშენიანებაში J. ზაიდლერის ბევრი ნაგებობაა (ძირითადად 1960-იანი წწ.). საცხოვრ. რ-ნები წრიულად ერტყმის გარს ქალაქის საქმიან ნაწილს. არის ბევრი ბაღი და პარკი (ბოტან. ბაღი, ზოოპარკი), ხე-ნარგავების მასივებს ენაცვლება ვრცელი მდელოები, სადაც ეწყობა სპორტ. შეჯიბრებები და თამაშები. გარეუბნებში ბევრი საზღვაო კურორტია.

ს-ში არის უნ-ტი, კონსერვატორია, გამოყენებითი ხელოვნ. ეროვნ. სკოლა, სხვადასხვა სამეცნ. ასოციაცია და საზოგადოება, ბ-კები, მუზეუმები, თეატრები.

სიდნი (Sidney) ფილიპ (30. IX. 1554, პენზჰერსტი, — 17. X. 1586, არნემი, ჰოლანდია), ინგლისელი მწერალი. განიცდიდა ფ. პეტრარკასა და „პლეადის" გავლენას. ე. სპენსერთან ერთად ჩამოაყალიბა ლიტ. წრე „არეოპაგი", რ-იც მიზნად ისახავდა ინგლ. ვერსიფიკაციის გამდიდრებას ანტ. ნიმუშების მიხედვით. ს-ს ეკუთვნის სონეტების კრებ. „ესტროფელ და სტელა" (1580—84, გამოქვეყნდა 1591), პასტორალური რომანი „არკადია" (1581, გამოქვეყნდა 1590); თავისი ესთეტ. პრინციპები ჩამოაყალიბა თხზულებაში „პოეზიის დაცვა" (1581, გამოქვეყნდა 1595).

სიდნი (Sydney), ქალაქი და ნავსადგური აღმ. კანადაში, ახალი შოტლანდიის პროვინციაში, კ. კეიპ-ბრეტონზე. 29 ათ. მცხ. (1981). ქვანახშირის მოპოვება, შავი მეტალურგია, რადიოელექტრონიკა, ქიმ. მრეწვ., ავტოაწყობა. გარეუბან გლეის-ბეიში — მძიმე წყლის ქ-ნა. ს. დაარსდა 1784.

სიდონზი (Siddons) სარა (5. VII. 1755, ბრეკონი, უელსი, — 8. VI. 1831, ლონდონი), ინგლისელი მსახიობი. მოღვაწეობა დაიწყო პროვინციულ თეატრებში. დ. გარიკმა ს. მიიწვია ლონდონის თეატრ „დრური-ლეინში" (1775), სადაც შეასრულა პორციასა და ლედი ანას როლები (შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი" და „რიჩარდ III"). 1776—82 ს. კვლავ პროვინციულ თეატრებში თამაშობდა. როლები შექსპირის რეპერტუარიდან: ლედი მაკბეთი („მაკბეთი"), კონსტანცა („მეფე ჯონი"), ოფელია („ჰამლეტი"), იმოჟენი („ციმბელინი") და სხვ. სცენა დატოვა 1812.

ლიტ.: История западноевропейского театра, т. 3, М., 1963.

სიდონი (ფინიკ. Sidon; ახლანდელი საიდა, ლიბანი), ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპიროზე. ვარაუდით დაარსებულია IV ათასწლეულში. ძვ. წ. II ათასწლეულში მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო და მეტოქეობას უწევდა ტვიროსს. ძვ. წ. II—I ათასწლეულში მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის დას. სანაპიროს ფინიკიურ კოლონიზაციაში. ძვ. წ. 1000 ტვიროსს მორჩილებდა. 677 ასურეთის მეფე ასარხადონმა დაანგრია. შემდეგ თავიდან ააშენეს. ძვ. წ. VI ს. მე-II ნახევარში აქემენიდებმა დაიპყრეს. ელინისტურ ხანაში ჯერ პტოლემეებს ეკუთვნოდა, შემდგომ კი სელევკიდებს. ძვ. წ. 63-იდან რომის იმპერიაში შედიოდა. VII ს-ში არაბებმა დაიპყრეს.

სიდონიუსი გაიუს აპოლინარიუს სოლიუს მოდესტუს (Gaius Sollius Modestus Apollinarius Sidonius) [V ს. 30-იანი წლების დამდეგი, ლუგდუნუმი (ახლანდ. ლიონი), — 21. VIII. 483, არვერნი (ახლანდ. კლერმონ-ფერანი)], გალ-რომაელი მწერალი, მდიდარი არისტოკრ. ოჯახიდან. დას. რომის იმპ. ანტემიუსმა 468 რომის პრეფექტად დანიშნა და პატრიციობა მიანიჭა. 471 ან 472-იდან არვერნის ეპისკოპოსი. სახელი გაითქვა პანეგირიკებით. დას. რომის იმპერატორებზე დაწერილი მისი ნაწარმოებები, განსაკუთრებით წერილები, მნიშვნელოვანი წყაროა *ვესტგუთების* მიერ გალიის დაპყრობის ისტორიისათვის.

სიდორენკო ალექსანდრე ვასილის ძე [6 (19). X. 1917, სოფ. ნოვონიკოლაევკა, ახლანდ. ვოროშილოვგრადის ოლქი, — 23. III. 1982, ალჟირი; დაკრძალულია მოსკოვში], საბჭ. გეოლოგი, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1966). სკკპ წევრი 1942-იდან. 1940 დაამთავრა ვორონეჟის უნ-ტი. 1952—61 იყო სსრკ მეცნ. აკად. ს. კიროვის სახ. კოლის ფილიალის პრეზიდიუმის თავ-რე. 1962—75 სსრკ გეოლ. და წიაღის დაცვის მინისტრი, სსრკ სახელმწ. გეოლ. კომიტეტის თავ-რე, სსრკ გეოლ. მინისტრი, 1975-იდან სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი, აგრეთვე სსრკ მეცნ. აკად. ლითოსფეროს ინ-ტის დირექტორი.

ს-ს შრომები ძირითადად ეხება უდაბნოების გეომორფოლ. და გეოლ., აგრეთვე კამბრიულისწინა დანალექ-მეტამორფიზებული წყებების ლითოლოგიის საკითხებს. სკკპ XXIII და XXIV ყრილობებზე არჩეულ იქნა სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად. სსრკ VII—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ს-ს სახელი ეწოდა მინერალს — სიდორენკიტი — $Na_3Mn(PO_4)(CO_3)$. ლენინური პრემია (1966). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Органическое вещество в осадочно-метаморфических породах докембрия, М., 1975 (თანაავტ.: С. А. Сидоренко).

სიდრა, დიდი სირთი, ყურე ხმელთაშუა ზღვაში, ლიბიის ნაპირთან. ხმელეთში შეჭრილია 115 *კმ*-ზე. სიგანე შესასვლელთან 465 *კმ*, სიღრმე 1374 *მ*-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 0,4 *მ*. ყურის ნაპირზეა ნავსადგურები: ბენღაზი, მარსა-ელ-ბურეიკა, ელ-სიდერი.

სიდრი (ფრანგ. cidre), მცირეალკოჰოლიანი (5—7% მოცულობითი სპირტი) ხილკენკროვანი ღვინო, რ-საც ღებულობენ ვაშლის წვნის დადუღებით. ს-ს აქვს ვაშლის გემო და არომატი, გაჯერებულია ნახშირორჟანგით. უშვებენ 3 სახის ს-ს: ტკბილს (შეიცავს 10 *გ*/*ლ* შაქარს), ნახევრად მშრალს (5 *გ*/*ლ*) და მშრალს (შაქარს არ შეიცავს). ს-ის სამშობლო საფრანგეთია. სსრკ-ში ს-ს ამზადებენ რსფსრ-ში, ბელორუსიაში, უკრაინასა და ყაზახეთში.

სიეგო-დე-ავილა (Ciego de Avila), ქალაქი კუბაში, ჰავანა—სანტიაგო-დე-კუბის ცენტრ. გზატკეცილსა და რკინიგზის ხაზზე. სიეგო-დე-ავილის პროვ. ადმ. ცენტრი. 74,2 ათ. მცხ. (1981). სას.-სამ. რ-ნის (ტროპ. ხილი) ცენტრი. კვებისა და საფეიქრო მრეწველობა. თეატრი.

სიედლცე (Siedlce), ქალაქი პოლონეთში, სიედლცეს საvoევოდოს ადმ. ცენტრი. 58 ათ. მცხ. (1982). სარკინიგზო კვანძი. ლითონის კონსტრუქციების, ზუსტი მექანიკის, ასაწყობი სამშენებლო ელემენტების, სამსხმელო ქ-ნები. კვების მრეწვ., ტრიკოტაჟის ნაწარმისა და სათამაშოების დამზადება.

სიელვე, თვალის კაკლების ასიმეტრიული მდებარეობა, რ-ის დროსაც ირღვება ბინოკულური მხედველობა. განარჩევენ შეუღლებულ და პარალიზურ ს-ს. შეუღლებული ს-თვის დამახასიათებელია ორივე თვალის მამოძრავებელი კუნთების შეუზღუდველი მოძრაობა. უმეტესად გვხვდება ბავშვებში (2%-მდე). ამ ფორმის ს-ის მიზეზი საბოლოოდ დადგენილი არ არის. ს. შეიძლება იყოს აკომოდაციური, რ-იც დაკავშირებულია *რეფრაქციის* ანომალიებთან, და თვალის აკომოდაციის დარღვევებთან და არააკომოდაციური. აკომოდაციური ს. ქრება თვალში ატროპინის ჩაწვეთებისა და მაკორეგირებელი სათვალის ტარების (ბავშვებს სათვალე ენიშნებათ 10—12 წლიდან) შედეგად, რაც ხელს უწყობს როგორც მხედველობის გაუმჯობესებას, ისე აკომოდაციისა და კონვერგენციის შეთანხმებული მოქმედების აღდგენას. აკომოდაციური ს. დიდი მდგრადობით გამოირჩევა. ს. შეიძლება იყოს მუდმივი და პერიოდული, ცალმხრივი, ორმხრივი და მონაცვლეობითი (გაელმებული ხან ერთი, ხან მეორე თვალი), შეგნითა ანუ მომზიდველი (ელამი თვალი გადმოხრილია ცხვირისკენ) და გარეთა ანუ განმზიდველი (ელამი თვალი გადახრილია საფეთქლისაკენ), ზედა და ქვედა. არააკომოდაციური ს-ის დროს მკურნალობა კომპლექსურია; მიმართავენ თვალის ვარჯიშს სხვადასხვა ხელსაწყოზე (სინოპტოფორი, ამბლიოსკოპი) და ქირურგ. ოპერაციას, რ-იც მიმართულია თვალის უფრო ძლიერი კუნთის შესუსტების ან მისი ანტაგონისტის გაძლიერებისაკენ. პარალიზურ ს-ს იწვევს ერთი ან რამდენიმე კუნთის დამბლა ან პარეზი, რაც ვითარდება ცენტრ. ნერვული სისტემის დაზიანების (ინფექცია, სისხლჩაქცევა და სხვ.) შედეგად. დადამბლავებული კუნთის მხარეს თვალის მოძრაობა შეზღუდულია ან სულ არ აღინიშნება; ავადმყოფი უჩივის საგნების გაორებას. მკურნალობენ ძირითად დაავადებას; ოპერაცია უმეტესად კოსმეტიკურ ეფექტს იძლევა; ზოგჯერ თვალის კუნთებზე ოპერაციით შესაძლებელია მხედველობის აღდგენა. *ი. ბერაძე.*

სიემიანოვიცე-სლიონსკე (Siemianowice Śląskie), ქალაქი პოლონეთში, კატოვიცეს საvoევოდოში. შედის ზემო სილეზიის აგლომერაციაში. 78,2 ათ. მცხ. (1981). იღებენ ქვანახშირს. ფოლადსაგნინო, ლითონის ნაკეთობათა, მინის ქ-ნები, საკონდიტრო ფ-კა.

სიენა (Siena), ქალაქი ცენტრ. იტალიაში, ტოსკანის ოლქში. სიენის პროვ. ადმ. ცენტრი. 65 ათ. მცხ. (1976). კვების, სამკერვალო, ელექტროტექ., ქიმ., ხისა და საშენი ქვის დასამუშ. მრეწველობა. ქალაქის მახლობლად ამუშავებენ მარმარილოს. განვითარებულია ტურიზმი. ს. ქალაქ-მუზეუმია. დააარსეს რომაელებმა ძვ. წ. I ს-ში. ახ. წ. VIII ს-ში ეპისკოპოსის რეზიდენცია გახდა, XII ს-იდან — კომუნა. XIII—XIV სს-ში ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბანკო-სავაჭრო და ხელოსნობის (მაუდის მრეწვ.) ცენტრია. XIII ს-ში დაარსდა უნ-ტი. XIV ს-ში ჩაისახა მანუფაქტურა. 1371 ს-ში მოხდა იტალიაში წინაპროლეტარიატების ყველაზე ადრინდ. გამოსვლა — „დელე ბრუკოს" აჯანყება. 1399—1404 ეკუთვნოდა მილანის ჰერცოგების, ვისკონტების საგვარეულოს. 1531—52, 1555—57 ესპანეთს ემორჩილებოდა, 1557-იდან — ფლორენციის საჰერცოგოს, ხოლო 1860-იდან სარდინიის (1861-იდან იტალიის) სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ქალაქს ძვ. ნაწილს შენარჩუნებული აქვს შუა საუკ. სახე. ხუროთმოძღვრული ძეგლები ძირითადად გოტიკური სტილისაა: ტაძარი (1284—1376, არქიტ. ჯოვანნი პიზანო და სხვ.; მარმარილოს კათედრა 1265—68, მოქანდაკე ნიკოლო პიზანო და სხვ.); სან-დომენიკოს (1293—



სიენა. პალაცო ბუონსინიორი (ახლა ეროვნული პინაკოთეკა). XIV ს.

1391), სან-ფრანჩესკოს (1326—1475) ეკლესიები; ტოლომეის (1205-იდან), პუბლიკოს (1297—1310, მინაშენები XVII ს., მოზატულია ა. ლორენცეტის, სიმონე მარტინისა და სხვ. ფრესკებით), ლოჯია დელ პაპის (1460, არქიტ. ანტონიო ფედერიგი და ფრანჩესკო დი ჯორჯო) სასახლეები.

სიენი, ისტორიული საქართველოს სამხრ.-დას. რეგიონში მდებარე დიდი ადრინდ. კლასობრივი გაერთიანების *დიაუხი*-დაიაენის (ტაოხი, ტაო) მეფე. სათავეში ედგა ტომთა დიდ კოალიციას, რ-იც ძვ. წ. 1112 შეებრძოლა ნაირის მხარეში შეჭრილ ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის ლაშქარს. ს. დამარცხდა, ასურეთის მეფემ იგი ტყვედ ჩაიგდო, წაიყვანა ქალაქ ასურში და მორჩილების აღიარების შემდეგ გამოუშვა თავის ქვეყანაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *გ. მელიქიშვილი.*

სიენის სკოლა ფერწერისა, ფერწერის ერთ-ერთი სკოლა იტალიაში. საფუძველი ჩაეყარა XIII ს-ში (გვიდო და სიენა და სხვ.). სკოლის შექმნას საფუძვლად დაედო იტალ.-ბიზანტ. ხატწერა, აგრეთვე წიგნის მინიატიურის ხელოვნ. განვითარება სიენის ირგლივ მდებარე ბენედიქტელთა სააბატოებში. ს. ს-ის აყვავების პერიოდში (XIII ს. — XIV ს. I ნახ.) სკოლის ოსტატები (დუჩო დი ბუონინსენია, ლორენცეტების, სიმონე მარტინი, ლიპო მემი) ქმნიდნენ მდიდარი კოლორიტის, დახვეწილი რიტმის მქონე, ზოგჯერ დამაჯერებელ, ცხოვრებისეულ ნაწარმოებებს. XV ს. ს-ი-ის ოსტატები ცდილობდნენ გადაელახათ გოტიკური ტენდენციები და აეთვისებინათ ფლორენციის სკოლის ნოვატორობა (დომენიკო დი ბარტოლო, მატეო დი ჯოვანი, ნეროჩო დი ლანდი), მაგრამ ს. ს-ის ძირითად თავისებურებად მაინც დარჩა ტრეჩენტოს ეპოქის მხატვრობასთან დაკავშირებული კოლორიტის ფაქიზი დეკორატიულობა, ხასიათებისა და სახეების ლირ. აღქმა (სასეტა, ჯოვანი დი პაოლო). XVI ს-ში ს. ს-ში მოღვაწეობდნენ საინტერესო ოსტატები (სოდომა, მანიერისტი დ. ბეკაფუმი და სხვ.), თუმცა სკოლამ მაინც დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა.

სიენიტი [<Syēnē — სიენე (ძვ. ეგვ. ქ. სუნის, ახლანდ. ასუანის, ბერძნ. სახელწოდება)], სრულკრისტალური მაგმური ქანი. ძირითადად შედგება კალიუმის, მინდვრის შპატისა და პლაგიოკლაზისაგან, აგრეთვე ფერადი მინერალებისაგან (რქატყუარა, ბიოტიტი, პიროქსენი, იშვიათად ოლივინი). ზოგჯერ ს. კვარცსაც შეიცავს. სსრკ-ში ცნობილია სამხრ. უკრაინაში, ურალზე, ყაზახეთში, კავკასიაში (საქართველოში — გურიაში, აჭარაში და სხვ.). იყენებენ შესამოს მასალად.

სიენფუეგოსი (Cienfuegos), ქალაქი და ნავსადგური კუბის სამხრ. სანაპიროზე, სიენფუეგოსის პროვ. ადმ. ცენტრი. 102,4 ათ. მცხ. (1981). ქიმ., კვების, ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება, გემთმშენებლობა. თესი. გარნელსაჭერი ფლოტილიის ბაზა. ტურიზმი. ს. დაარსდა 1819.

სიერა (ესპ. sierra, სიტყვასიტყვით — ხერხი), ქედების სახელწოდება ესპანეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და აშშ-ში (მაგ.: სიერა-ნევადა ესპანეთსა და აშშ-ში).

სიერა-დე-გვადარამა (Sierra de Guadarramma), ქედი ესპანეთში, ცენტრ. კორდილიერების ნაწილი. სიგრძე დაახლ. 150 *კმ*, სიმაღლე 2430 *მ*-მდე. შედგება რამდენიმე ბრტყელმწვერვალიანი და ციცაბოკალთებიანი მასივისაგან. უმთავრესად აგებულია კრისტ. ქანებით. კალთები შემოსილია ფიჭვნარით, ბუჩქოვანი რაყებითა და მდელოთი. ურანის მადნის საბადო.

სიერა-ლეონე (Sierra Leone), სიერა-ლეონეს რესპუბლიკა (Republic of Sierra Leone), სახელმწიფო დას. აფრიკაში, ატლანტის ოკ. სანაპიროზე. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 72,3 ათ. *კმ*². მოსახლ. დაახლ. 3,7 მლნ. კაცი (1983). დედაქალაქი—ფრიტაუნი. ოფიც. ენა—ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 19 აპრ.—რესპ. დღე (1971). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია ლეონე. 2,51 ლეონე= =1 აშშ-ის დოლარს (1983). ადმინისტრაციულად ს.-ლ. იყოფა 3 პროვინციად და 1 ოლქად (ფრიტაუნი გარეუბნებიანად).

ს.-ლ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1978 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის წარმომადგენელთა პალატას (ერთპალატიან პარლამენტს), რ-იც 104 დეპუტატისაგან შედგება. ამათგან 85-ს ირჩევს მოსახლ. საყოველთაო პირდაპირი თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 12-ს— უმალლეს ბელადს — ნიშნავს ბელადთა ასამბლეა, 7-ს — პრეზიდენტი. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (მოსახლ. ირჩევს 7 წლის ვადით), რ-იც მთავრობასთან ერთად აღორციელებს აღმასრ. ხელისუფლებას.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ქვეყნის უმეტესი ნაწილი უჭირავს ლეონე-ლიბერიის მაღლობს (მთა ბინტიმანი, 1948 *მ*), ჩრდ-ით შემოჭრილია ფუტა-ჯალონის მასივის შტოქედები, დას. და სამხრ. ნაწილი ალუვიური ვაკეა. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება რკინის, ტიტანის, რუტილის მადანი, ალმასი, ბოქსიტი. ჰავა ეკვატორულია, სანაპიროზე ყველაზე ცივი თვის (აგვ.) საშ. ტემპ-რაა 24°C, ყველაზე ცხელისა (აპრ.) 27°C. ნალექები მთაში 4000 *მმ*-ზე მეტია წელიწადში. ქვეყნის შიგა ნაწილში საშ. თვიური ტემპ-რები რამდენადმე დაბალია, ნალექები 2000—2500 *მმ* წელიწადში. მდინარეთა ქსელი ხშირია. მთავარი მდ-ებია კაბა, როკელე, ჯონგი, სევა, მოა. ნიადაგები უმთავრესად წითელ-ყვითელი ფერალლითურია, სანაპიროზე — ჭაობისა და ალუვიური. ტერიტ. დაახლ. 5%-ზე შემორჩენილია ნოტიო მარადმწვანე და ფოთოლმცვივან-მარადმწვანე ეკვატორული ტყე, ქვეყნის ჩრდ. ნაწილში მაღალბალახოვანი სავანაა, სამხრით და სამხრ.-აღმ-ით — მეორეული ბუჩქნარი. ცხოველთა სამყარო ძლიერ განადგურებულია. შემორჩენილია მაიმუნი, ანტილოპები, ჯიქი და სხვ. ბევრია ფრინველი და მწერი (მ. შ. ბუზი ცეცე).

მოსახლეობა. ს.-ლ-ს მოსახლ. იყოფა 2 ძირითად ეთნ. ჯგუფად: ატლანტიკურ ენათა ოჯახისა და მანდე ენათა ოჯახის ხალხები. შედარებით მრავალრიცხოვანია — მენდე და ტემნე ხალხები. მოსახლ. ნახევარზე მეტი მუსლიმანია, არიან ქრისტიანები და ადგილ. ტრად. რწმენების მიმდევრები.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 65% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 51 კაცი 1 *კმ*²-ზე (1983). ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული ქვეყნის დას. ნაწილი. მნიშვნელოვანი ქ-ებია: ფრიტაუნი (370 ათ. მცხ., 1981), ბო, კენემა, მაკენი.

ისტორიული ნარკვევი. ადამიანის უძველესი დასახლებები ს.-ლ-ს ტერიტორიაზე პალეოლითის ეპოქას განეკუთვნება. XV ს-ში ჩაისახა ფეოდ. ურთიერთობა. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გვაროვნ.-ტომობრივი კავშირები, შემორჩენილი იყო მონობაც. 1462 ესპ. ზღვაოსანი პედრუ დი სინტრა მოადგა ამ ქვეყნის სანაპიროს და უწოდა მას სერა-ლეანი (სიტყვასიტყვით—ლომის მთები). XVI ს-იდან ს.-ლ-ში ჩადიან ინგლისელები. 1808 სანაპირო ნაწილი ინგლ. კოლონიად გამოცხადდა. 1896 ს.-ლ-ს კოლონიის მომიჯნავე ქვეყნის ყველა შიდა რ-ნი ინგლ. პროტექტორატი გახდა, შემოიღეს ირიბი მმართველობის სისტემა. XIX ს. ბოლოდან ინგლისელებმა დაიწყეს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების (ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე, მიწის თხილი, პალმის ზეთი), ექსპლუატაცია. XIX ს. ბოლოს ადგილ. მოსახლ. აჯანყდა კოლონ. ჩაგვრის წინააღმდეგ (1898 ბაი ბურეს აჯანყება).


II მსოფლიო ომის (1939—45) დროს და მის შემდეგ კაპიტალ. ურთიერთობის განვითარებამ ს.-ლ.-ში გამოიწვია მუშათა კლასისა და მოსამსახურეთა რიცხობრივი ზრდა. ჩაისახა ეროვნ. ბურჟუაზია. 40-იან წწ. დასაწყისში შეიქმნა პირველი პროფკავშირები, ხოლო 50-იან წლებში— სხვადასხვა საზ-ბა და პოლიტ. პარტია. 1951 დაარსდა ს.-ლ-ს სახ. პარტია (სლსპ), რ-იც მოითხოვდა ადგილ. მმართველობის ორგანოებში აფრიკელთა მონაწილეობის გაფართოებასა და რეფორმების გატარებას, მოგვიანებით ს.-ლ-ს დამოუკიდებლობას დიდ ბრიტანეთთან კავშირის შენარჩუნებით. 50-იან წლებში მოეწყო მუშათა და გლეხთა მასობრივი გამოსვლები. ინგლ. ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ დათმობებზე წასულიყვნენ. 1957 მაისში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. შეიქმნა მთავრობა სლსპ-ის ლიდერის მ. მარგაის მეთაურობით. 1961 წ. 27 აპრ. ს.-ლ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა ბრიტ. თანამეგობრობის შემადგენლობაში. 1961 სექტ. ს.-ლ. გაეროში მიიღეს. ერთდროულად ს.-ლ-ს ინგლისელებმა თავს მოახვიეს „ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულება". პირველი კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1961, ხოლო 1967 პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვეს „საყოველთაო სახალხო კონგრესის პარტიის" (სსკპ) წარმომადგენლებმა, 1968 წ. 18 აპრ. სახელმწ. გადატრიალების შედეგად ხელისუფლებას სათავეში მოექცა ვ. წ. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი რევ. მოძრაობა. 1968 ივნ-ში შეიქმნა კოალიციური მთავრობა ს. სტივენზის მეთაურობით, ხოლო 1969 აპრ-ში სტივენზმა შეადგინა ერთპარტიული მთავრობა. ახ. მთავრობა დაადგა სახელმწ. აპარატის „აფრიკანიზაციის" გზას. საგარეო პოლიტიკის სფეროში მხარს უჭერს მიუმხრობლობას. გამოდის რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტჰეიდის წინააღმდეგ. 1971 წ. 19 აპრ. ს.-ლ-ს რესპ. პირველი



სიენის სკოლა. ა. ლორენცეტი. „ქალაქის კეთილი მმართველობის ალეგორია". პალაცო პუბლიკოს სასახლის ფრესკა. ფრაგმენტი. სიენა. 1337—39.



სიერა-ლეონეს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.



პრეზიდენტი გახდა ს. სტივენზი. 1981 ოქტ. შედგა სსკ-ს VI ყრილ. კონფერენცია, რ-მაც მიიღო პარტიის წესდება. შექმნა პოლიტ. ბიურო, არჩეულ იქნა სსკ ცკ-ის ახ. შემადგენლობა. კონსტიტუციამ ს.-ლ. ერთპარტიულ სახელმწიფოდ და სსკ ერთადერთ ოფიციალურად აღიარებულ პარტიად გამოაცხადა. სსრკ-თან დიპლ. ურთიერთობა დამყარდა 1962 წ. 18 იანვარ.

ეკონომიკა. ს.-ლ. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული აგრ. ქვეყანაა. მთლიანი შიგა პროდუქტის 30,4%-ს იძლევა (1981/82) სოფ. მეურნეობა, 23,1%-ს — მრეწვ. და მშენებლობა, 16,2%-ს — ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. შიგა მოხმარებისათვის მოჰყავთ (ათ. ტ, 1982): ბრინჯი — 550, ფეტვი და სორგო — 22, სიმინდი — 15; საექსპორტოდ — ყავა — 11, კაკაოს მარცვალი — 8, ციტრუსები. აშენებენ ზეთის პალმას. 1981 ს.-ლ.-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 348, თხა — 268, ცხვარი — 150, ღორი — 38. განვითარებულია თევზჭერა (86 ათ. ტ, 1981).

იღებენ ალმასს (290 ათ. კარ, 1982), ბოქსიტს (6371 ათ. ტ, 1982), რუტილს, რკინის მადანს. არის კვების მსუბუქი, ხის დასამუშ. მრეწვ. საწარმოები, ნავთობგადასამუშ. ქ-ნა, ალმასის გადასამუშ. ფ-კა, სალტეების ქ-ნა, ავტოსარემონტო სახელოსნოები. თითქმის ყველა საწარმო თავმოყრილია დედაქალაქსა და მის გარეუბნებში. ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრეა 114 ათ. *კვტ*. ელექტროენერგიის წარმოება — 275 მლრდ. *კვტ · სთ* (1982).

საავტ. გზების სიგრძე 8 ათ. *კმ*-ზე მეტია, აქედან დაახლ. 6 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია. 1982 ავტოპარკში იყო 40 ათზე მეტი ავტომობილი. განვითარებულია საზღვ. და სამდ. ტრანსპორტი. მთავარი ნავსადგურია ფრიტაუნი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია ლუნგი. 1982 — ექსპორტმა შეადგინა 221 მლრდ. ლეონე, იმპორტმა — 410 მლრდ. გააქვთ ალმასი (ექსპორტის 52%), რუტილი, ყავა, კაკაოს მარცვალი, ბოქსიტი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, სურსათი, სათბობი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, აშშ, გფრ, ნიგერია, იაპონია, ნიდერლანდი.

განათლება. 70-იან წლებში მისახლ. 85% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. სავალდებულო სწავლება 6-—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის ფაქტობრივად არ ხორციელდება. ს.-ლ.-შია 7-წლიანი დაწყ. სკოლა, 7-წლიანი საშ. სკოლა (5+2). ასწავლიან ინგლ. ენაზე. 1984 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 200 ათ-მდე მოსწ., საშ. სკოლაში — 40 ათ-მდე. პროფმომზადება ხორციელდება დაწყ. სკოლის 2—5-წლიან ბაზაზე (სწავლობდა 1300-მდე მოსწ.), დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს 3-წლიანი პედ. სასწავლებელი (სწავლობდა 1300-მდე მოსწ.). ფრიტაუნში არის ს.-ლ.-ს უნ-ტი (დაარსდა 1967). არასრულ უმაღლეს ტექ. განათლებას იძლევა ტექ. ინ-ტები კენემასა და ფრიტაუნში. ფურა-ბეის კოლეჯში არის ბ-კა (100 ათ-მდე ტ.), ფრიტაუნში — ეროვნ. მუზეუმი.

ს.-ლ.-ში გამოდის რამდენიმე გაზეთი და პერიოდული გამოცემა. საინფორმაციო სააგენტო დაარსდა 1980 ფრიტაუნში, რადიომაუწყებლობა 1972-იდანაა, ტელევიზია — 1963-იდან.

კულტურა. ს.-ლ.-ს ლიტ-რა ვითარდება ინგლ. ენაზე. ადგილ. ხალხებს აქვთ მდიდარი ფოლკლორი. 50—60-იან წლებში ჩამოყალიბდა ლიტ. ჟანრები: ნოველა, რომანი, დრამა, ლექსის თანამედროვე ფორმები. აღსანიშნავია მ. სინას, ნ. ფაილის, დ. გარტის მოთხრობები; მ. ბარტ-უილიამზის (დ. 1938) რადიოპიესები; რ. კოულის, უ. კონტონის, პ. მადის რომანები; ჯ. კრისპინის, ს. ჩეინი-კოკერის (დ. 1944) ლექსები; ს. იზმონის პიესები. ს.-ლ-ს ლიტ-რა ეხება ზოგად აფრ. ხასიათის აქტ. პრობლემებს — კრეოლური ბურჟ. დამოკიდებულებას სხვა სოც. ფენებისა და ტომთა წარმომადგენლებთან, დას. ბურჟ. ცივილიზაციისა და მორალის გავლენას ინტელიგენციაზე.

საცხოვრებლად იყენებენ კონუსისებრი სახურავით გადახურულ თიხის ან მოწნულ, გეგმით მრგვალ ქოხებს, რ-ებსაც ამკობენ მკაფიოფერებიანი ორნამენტული მოხატულობით. შუა საუკ. და თანამედროვე ხელოვნ. ნიმუშთაგან აღსანიშნავია: სტეატიტის სტატუები, ხის ნიღბები, ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებებით შემკული სპილოს ძვლის ნივთები, მხატვრული ქსოვილები, კერამიკა და სხვ. 1960-იანი წლებიდან იქმნება დაზგური ხელოვნ. ეროვნ. სკოლა (მოქანდაკე პ. მ. კარემო, ფერმწერები — მ. ბარნი-ნიკოლი, ს. ლეიბერ-ბლეიკი).

სიერა-მორენა (Sierra Morena), მთები ესპანეთის სამხრ. ნაწილში, მესეტის ზეგნის სამხრ. კიდე. სიგრძე დაახლ. 400 *კმ*, სიმაღლე 1299 *მ*-მდე. უმთავრესად აგებულია კრისტ. ქანებით. წარმოადგენს პლატოსებრ წყალგამყოფს, რ-ის სამხრ. კალთა ციცაბოდ ეშვება გვადალკივირის ხეობისაკენ და მისი შენაკადებით ღრმად არის დასერილი. შემოსილია მარადმწვანე ბუჩქნარითა და ფართოფოთლოვანი ტყით. ტყვია-თუთიის მადანი, სპილენძიანი პირიტის საბადო.

სიერა-ნევადა (Sierra Nevada), ქედი აშშ-ის სამხრ.-და. ნაწილში. დიდი აუზის მთიანეთს გამოჰყოფს კალიფორნიის ველისაგან. სიგრძე 750 *კმ*, სიმაღლე 4418 *მ*-მდე (მთა უიტნი). აგებულია გრანოდიორიტებით. სეისმურია. მთისძირთან ცხელი წყაროები და ტალახის ვულკანებია. დას. კალთა დამრეცი და ღრმად დასერილია. 1000 *მ* სიმაღლემდე შემოსილია მარადმწვანე ბუჩქოვანი მუხით, 3000 *მ*-მდე წიწვოვანი ტყეა, ზევით — ალპ. მდელოები. აღმ. კალთა ციცაბოა, შემოსილია ფიჭვნარითა და მეჩხერი ტყით. მწვერვალებზე მარადი თოვლია.

სიერპინსკი (Sierpinski) ვაცლავ (14. III. 1882, ვარშავა — 21. X. 1969, იქვე), პოლონელი მათემატიკოსი. დაამთავრა ვარშავის უნ-ტი (1904). 1917—51 იყო კრაკოვის ცოდნათა აკად. ნ. წ. 1952—57 ვიცე-პრეზიდენტი ვარშავის მეცნ. აკადემიის, რ-იც შეიქმნა კრაკოვის ცოდნათა აკად. და ვარშავის სამეცნ. საზ-ბის ბაზაზე. 1918—60 ვარშავის უნ-ტის პროფესორი, ძირითადი შრომები აქვს სიმრავლეთა თეორიაში და მის გამოყენებაზე ტოპოლოგიაში, აგრეთვე ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიაში.

სიესტა (ესპ. siesta), ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში — შუადღის დასვენება (ნასადილევს).

სიეტლი (Seattle), ქალაქი აშშ-ის დას. ნაწილში, პიუჯეტ-საუნდის ყურის ნაპირზე, ვაშინგტონის შტატში. 494 ათ. მკხ., გარეუბნებიანად 2,1 მლნ. (1980). აშშ-ის წყნაროკეანური სანაპიროს ჩრდ. ნაწილის მთავარი ეკონ. ცენტრი და სატრანსპ. კვანძი. რამდენიმე ტრანსკონტინენტური მაგისტრალის ბოლო პუნქტი. ს-ის მეშვეობით ხორციელდება კავშირი ალასკასთან. განვითარებულია ავიასარაკეტო მრეწვ. (ს-სა და მის გარეუბნებში არის „ბოინგის" ქ-ნები, რ-ებიც ამზადებენ სამგზავრო ლაინერებს, სამხ. თვითმფრინავებსა და რაკეტებს), არის ხე-ტყის, ხის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, საკონსერვო, გემთაშენი და გემთსარემონტო, ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები, ავტოსაამწყობო ქ-ნები. თევზსაჭერი ფლოტის ბაზა. უნ-ტი. ს. დაარსდა 1851.

სივა, ოაზისების ჯგუფი ლიბიის უდაბნოს ჩრდ. ნაწილში, ეგვიპტეში. მდებარეობს დაახლ. 60 *კმ* სიგრძისა და დაახლ. 16 *კმ* სიგანის ქვაბულში, ზ. დ. 20—30 *მ* დაბალა. ბევრია პატარა ტბა და მლაშობი. საავტ. გზებითა და საქარავნო ბილიკებით უკავშირდება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს და ნილოსის ხეობას. კულტივირებულია ფინიკის პალმა, ქერი, პარკოსნები. მარილის მოპოვება.

სივალიკის მთები, სივალიკი, ჰიმალაის წინა, ჰიმალაის მთისწინეთის სამხრ. კიდე ინდოეთსა და ნეპალში. წარმოადგენს პარალელური ქედებისა და სერების მთაგრეხილს. გადაჭიმულია დაახლ. 1700 *კმ*-ზე, სიმაღლე 2591 *მ*-მდე (მთა საონჩალია). აგებულია დისლოცირებული მოლასებით. ჰიმალაისგან გამოყოფილია რღვევის ხაზით. კალთები ღრმად არის დასერილი. სამხრ. კალთის დას. ნაწილში იცის სელური ღვარები. კალთები შემოსილია ტროპ. ფოთოლმცვივანი (მუსონური) ტყით. გაშენებულია ჩაის პლანტაციები.

სივაპითეკი (Sivapithecus; მოპოვების ადგილის სახელწოდება და ბერძნ. pithēkos — მაიმუნი), ნამარხი *ადამიანის მსგავსი მაიმუნების* გვარი. აზიაში (ჰიმალაიში — სივალიკის მთებში) და აღმ. აფრიკაში ნაპოვნია ს-ის ქვედა და ზედა ყბისა და კბილების ფრაგმენტები. ქვედა ყბა მასიურია; ს-ის კბილები ადამიანისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნების კბილებს ჰგავს. ს-ს *დრიოპითეკებთან* ერთად თვლიან ადამიანის მსგავსი მაიმუნების, კერძოდ, *ორანგუტანის* წინაპრულ ფორმად.

სივასი (Sivas), ქალაქი თურქეთის ცენტრ. ნაწილში, სივასის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 173,8 ათ. მკხ. (1980). რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი. მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., ცემენტის, ხის დასამუშ., კვებისა და საფეიქრო მრეწველობა. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი.

ს-ის ძვ. სახელწოდებებია: კაბირა, დიოსპოლისი, სებასტია. IV ს. დასასრ. — XI ს. II ნახევრამდე ბიზანტ. შემადგენლობაში იყო. XI ს. დასასრ. — XIV ს. დასაწყისში ემორჩილებოდა სელჩუკებს, XIV ს-ში შეიდა ოსმალეთის იმპერიაში. *ქემალისტური რევოლუციის* დროს, 1919 სექტ-ში, ს-ში მოიწვიეს ეროვნ.-ბურჟ. ორგანიზაციების კონგრესი, რ-მაც აირჩია წარმომადგენლობითი კომიტეტი — ფაქტობრივად (1920 აპრ.მდე) რევ. თურქ. დროებითი მთავრობა.

სივაში, პატარა ყურეების სისტემა აზოვის ზღვის დას. ნაპირთან. სიგრძე 112 *კმ*, ფართ. დაახლ. 2560 *კმ*². აზოვის ზღვიდან გამოყოფილია არაბატის ისარას ვიწრო ქვიშიანი ცელათი. ზღვას უკავშირდება გენიჩესკის სრუტით. ნაპირები დაბალია, დამრეცი. ზაფხულობით იფარება მარილის ფენით. ს. ეწოდება აგრეთვე ზოგიერთ სხვა პატარა ყურეს ყირიმში.

სივერასტი, მთა კავკასიონის ჩრდ. გვერდით ხოხის ქედზე, მდ. თერგის სათავეებში. სიმაღლე 3767 *მ*. აგებულია ზედალიასური ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. რელიეფი მკვეთრია. ს-ის ჩრდ. კალთაზე არის ძვ. გამყინვარების ნიშნები — ცირკები და ტროგები. ს-ის კალთებიდან ეშვება მოზრდილი მყინვარი მდ. ფიაგდონის ტროგულ ხეობაში.

ს. ნემანიშვილი.

სივერეძი (Siverek), ქალაქი სამხრ. თურქეთში, ურფის ვილაიეთში, ურფა—დიარბაქირის საავტ. გზაზე. 30 ათ. მკხ. (1980). სას.-სამ. რ-ნის (მარცვლეული, კაკალი, საქონელი) სავაჭრო ცენტრი. კვებისა და საფეიქრო მრეწველობა.

სივერსი რუდოლფ ფერდინანდის ძე [11 (23). 1892, პეტერბურგი, — 8. XII. 1918, მოსკოვი], საბჭ. სამხედრო მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1917-იდან. I მსოფლიო ომის (1914—18) მონაწილე. 1917 ოქტ. რევ. დღეებში მონაწილეობდა დონბასის განთავისუფლებისათვის ბრძო-

ლასა და კალედინშჩინის განადგურებაში. 1918 წ. 24 თებ. ჯარებმა ს-ის სარდლობით დონის როსტოვი გაათავისუფლეს. 1918 მარტ.-აპრ. უკრაინაში გერმ. ოკუპანტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობდა მე-5 საბჭ. არმიას, ხოლო იმავე წლის ზაფხულიდან განსაკუთრებულ ბრიგადას კრასნოვის თეთრგვარდიელი კაზაკების წინააღმდეგ.

სივერტსი (Siwertz) პერ სიგფრიდ (24. I. 1882, სტოკჰოლმი, — 28. XI. 1970, იქვე), შვედი მწერალი. შვედიის აკად. წევრი 1932-იდან. 1905 გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებ. „ქუჩის ოცნებები". ეკუთვნის რომანები „ტბა მელარენის მეკობრეები" (1911), „ფლანერი" (1914), „სელიამბები" (ტ. 1—2, 1920), „იონა და ურჩხული" (1928), „ექვსი უფასო ბილეთი" (1943), აგრეთვე პიესები „დანაშაული" (1933), „თამაში ზღვაზე" (1938) და სხვ.

სივკოვი გრიგოლ ფლეგონტის ძე (დ. 10. II. 1921, სოფ. მარტინოვო, ახლანდ. პერმის ოლქი), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (4. II. 1944 და 18. VIII. 1945), სამხ. მოიერიშე მფრინავი, პოლკოვნიკ-ინჟინერი (1956). სკკპ წევრი 1943-იდან. დაამთავრა სამხ. საავიაციო სკოლა (1940) და ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია (1952). დიდი სამამულო ომის (1941—45) პერიოდში, 210-ე მოიერიშე საავიაციო პოლკის მფრინავი, რგოლისა და ესკადრილიის მეთაური. განახორციელა 240 საბრძოლო გაფრენა. ომის შემდეგ უფროსი მფრინავ-გამომცდელი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით.

სივრცე, იხ. სტ. *სივრცე და დრო*.

სივრცე მათემატიკაში, ლოგიკურად გააზრებული ფორმა (ან სტრუქტურა), რ-იც წარმოადგენს სხვა ფორმებისა და ამა თუ იმ კონსტრუქციების განხორციელების გარემოს. უმეტესად ს-ში დაფიქსირებულია ისეთი მიმართებანი, რ-ებიც ფორმალური თვისებებით მსგავსია ჩვეულებრივი სივრცითი მიმართებებისა (მანძილი წერტილებს შორის, ფიგურების ტოლობა და სხვ), ამიტომ ასეთ ს-ებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ ლოგიკურად გააზრებულ სივრცით-მსგავს ფორმებს. ისტორიულად პირველი და უმნიშვნელოვანესი მათ. ს-ა *ევკლიდური სივრცე*, რ-იც რეალური ს-ის მიახლოებითი აბსტრ. სახეა. ს-ის ზოგადი ცნება მათემატიკაში ჩამოყალიბდა ევკლიდური სივრცის გეომ. ცნებათა უფრო და უფრო ფართო განზოგადებისა და სახეცვლილების შედეგად. პირველი ს-ები, განსხვავებული სამგანზომილებიანი ევკლიდური ს-გან, შემოტანილი იყო XIX ს. I ნახევარში. ეს იყო ლობაჩევსკისა და ნებისმიერი სასრული განზომილების ევკლიდური ს-ები. ზოგადი ცნება მათ. ს-ის შესახებ ჩამოყალიბა 1854 ბ. *რიმანმა*. ეს ცნება ზოგადდებოდა, ზუსტდებოდა და კონკრეტდებოდა სხვადასხვა მიმართულებით (*ვექტორული სივრცე, ჰილბერტის სივრცე, რიმანის სივრცე, ფუნქციონალური სივრცე, ტოპოლოგიური სივრცე*). თანამედროვე მათემატიკაში ს. განისაზღვრება როგორც რაიმე სიმრავლე ობიექტებისა, რ-თაც ს-ის წერტილებს უწოდებენ. ესენი შეიძლება იყოს გეომ. ფიგურები, ფუნქციები, ფიზ. სისტემების მდგომარეობანი და ა. შ. როდესაც ასეთი ტიპის ობიექტებს განიხილავენ როგორც ს-ს, უგულებელყოფენ მათ თვისებებს და განიხილავენ მხოლოდ ერთობლიობათა იმ თვისებებს, რ-თაც განსაზღვრავენ მხედველობაში მიღებული ან განსაზღვრებით შემოტანილი მიმართებებით. ეს მიმართებები განსაზღვრავენ ს-ის „გეომეტრიას". ს-ის აქსიომური აგებისას მიმართებათა ძირითადი თვისებები გამოისახება სათანადო აქსიომებით.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მათ. ს. უფრო ზუსტად ასახავს რეალური ს-ის თვისებებს, უნდა გადაწყდეს ცდით. დადგინდა, რომ რეალური ს-ის აღწერისას ევკლიდური გეომეტრია არ არის საკმარისად ზუსტი და რეალური. ს-ის თანამედროვე თეორიაში იყენებენ რიმანისეულ გეომეტრიას (იხ. *გრავიტაცია*).

სივრცე და დრო, მატერიის არსებობის საყოველთაო ფორმები, რ-ებიც არ არსებობენ მატერიის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. სივრცული მახასიათებლებია სხეულთა კოორდინატები, მ. შ. მანძილები, კუთხეები სხვადასხვა მიმართულებას შორის (ცალკეულ ობიექტს ახასიათებს ფორმა და განფენილობა — ზომები, რ-ებიც განისაზღვრება ობიექტის ცალკეულ ნაწილებს შორის მანძილებით და მათი ორიენტაციით). დროითი მახასიათებლებია „მომენტები", რ-ებშიც ხდება მოვლენებ., და პროცესების ხანგრძლივობა. თანაფარდობებს სივრცულსა და დროითს სიდიდეებს შორის მეტრულს უწოდებენ. არსებობს ს. და დ-ის ტოპოლ. მახასიათებლებიც — სხვადასხვა ობიექტის „ურთიერთშეხება", მიმართულებათა რაოდენობა. სუფთა სივრცული თანაფარდობებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია არ მივაქციოთ ყურადღება სხეულების ან მათი ნაწილების მოძრაობასა და თვისებებს. სუფთა დროითი თანაფარდობებია მაშინ, თუ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება თანაარსებადი ობიექტების მრავალფეროვნებას.

რეალურ სინამდვილეში სივრცული და დროითი თანაფარდობები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი უშუალო ერთიანობა იჩენს თავს მატერიის მოძრაობაში. მოძრაობის უმარტივეს ფორმას — გადაადგილებას — ახასიათებს სიდიდეები, რ-ებიც წარმოადგენენ ს. და დ-ის სხვადასხვა თანაფარდობას (სიჩქარე, აჩქარება) და შეისწავლება *კინემატიკაში*. თანამედროვე ფიზიკამ აღმოაჩინა ს. და დ-ის კიდევ უფრო ღრმა ერთიანობა — სივრცული და დროითი მახასიათებლების ერთობლივი, სისტემის მოძრაობაზე დამოკიდებული კანონზომიერი ცვლილება და ამ მახასიათებლების დამოკიდებულება გარემომცველ გარემოში მასების კონცენტრაციაზე (იხ. *ფარდობითობის თეორია*).

სივრცული და დროითი სიდიდეების გასაზომად სარგებლობენ *ათვლის სისტემით*. მატერიისა და მოძრაობის შესახებ ჩვენი ცოდნის გაღრმავებასთან ერთად იცვლება და ღრმავდება მეცნ. წარმოდგენა ს. და დ-ის შესახებაც, ამიტომ ს. და დ-ის ახლად აღმოჩენილი კანონზომიერებების ფიზ. არსისა და მნიშვნელობის გაგება შესაძლებელია მხოლოდ მატერიის მოძრაობისა და ურთიერთქმედების ზოგად კანონზომიერებებთან მათი კავშირის დადგენის გზით.

ს. და დ. ერთიანი სამყაროს ყოფიერების აუცილებელი ფორმებია და ამიტომ ფილოს. საკანს განეკუთვნება. მოძღვრება ს. და დ-ის შესახებ ვითარდება და ღრმავდება ბუნებისმეტყველების, უპირველეს ყოვლისა, *ფიზიკის* განვითარებასთან ერთად. ს. და დ-ის შესახებ მოძღვრების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე *ასტრონომია*, განსაკუთრებით კი *კოსმოლოგია*.

სივრცულ-დროითი თანაფარდობები ექვემდებარება არა მარტო ზოგად კანონზომიერებებს, არამედ ამა თუ იმ კლასის ობიექტებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებსაც. განსაკუთრებით სპეციფიკურია სივრცულ-დროითი თანაფარდობები ისეთი განვითარებადი ობიექტებისათვის, როგორიცაა ორგანიზმი და საზოგადოება. ამ გაგებით შეიძლება ვილაპარაკოთ ასეთი ობიექტების ინდივიდ. ს. და დ-ზე (მაგ., ბიოლ. ან სოც. დრო).

ს. და დ-ის ძირითადი კონცეფციები. ს. და დ-თან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი პრობლემებია: ს. და დ-ის არსის საკითხი, ყოფიერების ამ ფორმების დამოკიდებულება მატერიასთან, სივრცულ-დროით თანაფარდობათა და კანონზომიერებათა ობიექტურობის საკითხი.

ბუნებისმეტყველებისა და ფილოს. განვითარების თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ს. და დ-ის შესახებ არსებობდა ორი კონცეფცია: ერთი სათავეს იღებს ძვ. ატომისტების — *დემოკრიტეს, ეპიკურესა* და *ლუკრეციუსისაგან*; იგი დამუშავებულია *ი. ნიუტონის* მიერ, მეორე—მომდინარეობს *არისტოტელესაგან*. *რ. დეკარტის* ზოგიერთ იდეაზე დაყრდნობით იგი დაამუშავა და განავითარა *გ. ლაიბნიცმა*.



გ. სივკოვი.

პირველი კონცეფციის თანახმად ს. და დ. განსაკუთრებული საწყისებია, რ-ებიც არსებობენ მატერიისა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. სივრცე თავისთავად (აბსოლ. სივრცე) ცარიელ „სხეულთა სათავსია", რ-იც აბსოლუტურად უძრავი, უწყვეტი, ერთგვაროვანი და იზოტროპიულია. მას აქვს სამი განზომილება. იგი არ ახდენს ზემოქმედებას მატერიაზე და არც თვითონ განიცდის ზემოქმედებას მატერიის მხრიდან. აბსოლ. სივრცის ნაწილები აბსოლუტურად განურჩეველია და ამიტომ ასეთი სივრცე განუზომელი და არაშეცნობადია. დრო თავისთავად წარმოადგენს ისეთ რაღაცას, რ-იც აბსოლუტურია და ყველაფრისაგან დამოუკიდებელია; იგი თანაბრად მიედინება წარსულიდან მომავლისაკენ. დრო „მოვლენათა სათავსია", რ-იც შეიძლება იყოს ან არ იყოს შეუსებული მოვლენებით. მოვლენათა მსვლელობა არ ახდენს ზემოქმედებას დროის დინებაზე. დრო უნივერსალური, ერთგანზომილებიანი, უწყვეტი, ერთგვაროვანი და უსასრულოა. ამ კონცეფციაში მიღებული ს. და დ-ის დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ მანძილი სივრცის მოცემულ ორ წერტილს შორის და დროის ინტერვალი ორ მოვლენას შორის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ინარჩუნებენ უცვლელ მნიშვნელობას ნებისმიერ ათვლის სისტემაში.

ნიუტონის მიერ დამუშავებული ს. და დ-ის ეს კონცეფცია გაბატონებული იყო ბუნებისმეტყველებაში XVII—XIX სს-ში, ვინაიდან იგი სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელ მეცნიერებას — ევკლიდეს გეომეტრიას, კლასიკურ მექანიკას, გრავიტაციის კლასიკურ თეორიას.

თანახმად მეორე კონცეფციისა, რ-იც უარყოფდა წარმოდგენას ს. და დ-ზე, როგორც საწყისებზე, რ-ებიც არსებობენ მატერიასთან ერთად, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, სივრცე წარმოადგენს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული სხეულების სიმრავლის ურთიერთგანლაგების წესრიგს, დრო კი — მიმდევრობას იმ მოვლენებისას ან სხვადასხვა მდგომარეობისას, რ-ებიც ერთიმეორეს ენაცვლებიან. ამ კონცეფციის თანახმად, არა აქვს აზრი ვილაპარაკოთ სხეულის ზომებზე სხვა სხეულებისაგან დამოუკიდებლად. ობიექტის ზომები არ არის მისი პირველადი თვისება. მას განაპირობებს ობიექტის შიგნით მოქმედი ძალები. შინაგანი და გარეგანი ურთიერთქმედებანი განაპირობებენ მდგომარეობის ხანგრძლივობასაც. რაც შეეხება დროს, როგორც ერთიმეორის მონაცვლე მოვლენების მიმდევრობას, იგი მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანარეკლია. მიუხედავად იმისა, რომ ლაიბნიცის კონცეფცია უფრო ფართო ფილოს. საფუძველზეა აგებული, მან ვერ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი XVII—XIX სს-ში ბუნებისმეტყველებაში, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა იმ დროს გაბატონებულ მრავალ მოსაზრებას (მაგ., ევკლიდეს გეომ. ერთადერთობა და უნივერსალურობა, კონცეფციის

შეუთავსებლობა ვაკუუმის არსებობასთან და სხვ.).

ს. და დ-ის ცნებები XVIII—XIX სს. ფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებაში. XVIII—XIX სს-ში ფილოსოფოს-მატერიალისტები ს. და დ-ის პრობლემებს წყვეტდნენ ძირითადად ნიუტონის ან ლაიბნიცის მიხედვით, თუმცა, როგორც წესი, მთლიანად არ იზიარებდნენ მათ შეხედულებებს. ს. და დ-ის პრობლემები ძირითადად დაიყვანებოდა იმ საკითხზე, თუ როგორია ს. და დ-ის მიმართება აღქმასა და შემეცნებასთან.

სუბიექტურ იდეალიზმს ს. და დ. მიაჩნია ადამიანის ცნობიერების ფორმებად, ე. ი. სუბიექტურად. ი. *კანტი* მათ მიიჩნევდა გრძნობადი განჭვრეტის აპრიორულ ფორმებად, ე. *ბახი* კი — ემპირიულად, მაგრამ ადამიანის გარემოსადმი შეგუების სუბიექტურ ფორმებად. ობიექტური იდეალიზმი ს. და დ-ს აღიარებს ობიექტური იდეის გამოვლენის ფორმებად. გ. *ჰეგელის* აზრით, ს. და დ. ჩნდება აბსოლ. იდეის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, ბუნების სფეროში. ამასთან, ჯერ წარმოიშობა სივრცე, შემდეგ კი — დრო. მარქსისტული ფილოსოფია ს. და დ-ს აღიარებს მოძრავი მატერიის არსებობის ობიექტურ ფორმებად.

ს. და დ-ის შესახებ წარმოდგენების განვითარება XX ს-ში. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში მოხდა ღრმა ცვლილებები მეცნ. შეხედულებებში მატერიის შესახებ. ამის შესაბამისად რადიკალურად შეიცვალა წარმოდგენები ს. და დ-ის შესახებ. სამყაროს ფიზ. სურათში გაჩნდა ახ. ცნება ველი — ნივთიერების ნაწილაკებს შორის მატერ. კავშირისა და მატერიის არსებობის განსაკუთრებული ფორმა. ს. და დ-ის შესახებ ლაიბნიცის კონცეფცია განავითარა ა. *აინშტაინმა* თავის ფარდობითობის თეორიაში, რ-იც წარმოადგენს ს. და დ-ის მეტრიკული თვისებების (იხ. *სივრცე-დროის მეტრიკა*) ახ. ფიზ. თეორიას. ფარდობითობის თეორიამ შემოიღო ს. და დ-ის ერთიანი ოთხგანზომილებიანი კონტინუუმი—სივრცე-დრო. ს. და დ. მატერ. მოვლენების კოორდინაციის ზოგადი ფორმებია და არა მატერიისაგან დამოუკიდებლად არსებული ყოფიერების საწყისები; მატერიის განაწილებაზეა დამოკიდებული ს. და დ-ის ისეთი ფუნდ. თვისებებიც როგორიცაა სასრულობა და უსასრულობა. ფარდობითობის თეორია გამორიცხავს აგრეთვე წარმოდგენას ცარიელ ს. და დ-ზე, რ-ებსაც საკუთარი ზომები აქვთ. წარმოდგენა ცარიელ სივრცეზე შემდგომ უარყოფილ იქნა ველის კვანტურ თეორიაშიც *ვაკუუმის* სრულიად ახლებური გაგებით

ს. და დ-ის ე. წ. ტოპოლოგიური თვისებების (განზომილება, უწყვეტობა, დროის დინების მიმართულება და სხვ.) შესწავლა დაიწყო XX ს. 60-იანი წწ-იდან და ჯერჯერობით ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს.

ს. და დ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მათი სასრული ან უსასრულო დაყოფადობის პრობლემა, რ-იც ჯერ კიდევ ძვ. დროში წამოიჭრა, თანამედროვე ფიზიკაში დადგენილია, რომ შეუძლებელია ს. და დ-ის არა მარტო რეალური დაყოფა წერტილებად, არამედ პრინციპულადაა შეუძლებელი აგრეთვე მათი უსასრულო დაყოფის პროცესის განხორციელება. ამიტომ გეომ. ცნებები: წერტილი, წირი, ზედაპირი წარმოადგენენ აბსტრაქციებს, რ-ებიც მატერ. ობიექტების სივრცულ თვისებებს მხოლოდ მიახლოებით გამოხატავენ. ველის კვანტურ თეორიაში მუშავდება *სივრცისა და დროის დაკვანტვის* ჰიპოთეზაც, ე. ი. ჰიპოთეზა უმცირესი სიგრძისა და ხანგრძლივობის არსებობის შესახებ.

მნიშვნელოვანი პრობლემაა დროის დინების მიმართულების საკითხიც. ნიუტონის თეორიაში ამ საკითხს არ სჭირდებოდა გადაჭრა, იგი თავისთავად ცხადად იგულისხმებოდა. ლაიბნიცის თეორიაში დროის დინების შეუქცევობა დაკავშირებულია მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის მიმართულების ცალსახობასთან. თანამედროვე ფიზ. თანახმად, დროის დინების მიმართულება დაკავშირებული უნდა იყოს მატერ. პროცესების ისეთ ინტეგრალურ მახასიათებელთან, როგორიცაა განვითარება, რ-იც პრინციპულად შეუქცევი პროცესია.

სივრცულ-დროითი თვისებების მჭიდრო კავშირი თავს იჩენს ს. და დ-ის სიმეტრიის ანალიზის დროსაც. ს. და დ-ის სიმეტრიის ტიპები ურთიერთკავშირშია უმნიშვნელოვანეს შენახვის კანონებთან. მაგ., სივრცის ერთგვაროვნება შეესაბამება იმპულსის შენახვის კანონს, დროის ერთგვაროვნება — ენერგიის შენახვის კანონს, სივრცის იზოტროპიულობა — მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონს და ა. შ.

ლიტ.: ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; მისივე, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954; ლენინი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 24; Грюнбаум А., Философские проблемы пространства и времени, пер. с англ., М., 1969; Ньютон И., Математические начала натуральной философии, М.—Л., 1936; Фок В. А., Теория пространства, времени и тяготения, 2 изд., М., 1961; Эйнштейн А., Работы по теории относительности [1905—1955], М., 1965—66 (Собр. научн. трудов, т. 1—2).

სივრცე-დროის მეტრიკა, განსაზღვრავს იმ ოთხგანზომილებიანი სივრცე-დროის გეომეტრიულ თვისებებს *ფარდობითობის თეორიაში*, რ-იც აერთიანებს ფიზიკურ სამგანზომილებიან სივრცესა და დროს. ს.-დ. მ. ხასიათდება ათვლის სისტემისაგან დამოუკიდებელი ინვარიანტული სიდიდით — ოთხგანზომილებიანი ინტერვალის კვადრატით, რ-იც განსაზღვრავს სივრცულ-დროითს კავშირს („მანძილის" კვადრატი) ორ უსასრულოდ მახლობელ ხდომილობას შორის,

$$ds^2 = \sum_{i=0}^{3} \sum_{k=0}^{3} g_{ik}\, dx^i\, dx^k. \qquad (1)$$

dx^1, dx^2, dx^3 ხდომილობათა სივრცითი კოორდინატების სხვაობებია, $dx^0 = cdt$, სადაც dt ამ ხდომილობების დროთა სხვაობაა, c — სინათლის სიჩქარე, ხოლო g_{ik} — *მეტრიკული ტენზორის* კომპონენტები. ზოგად შემთხვევაში მეტრიკული ტენზორი აკმაყოფილებს ფარდობითობის ზოგადი თეორიის აინშტაინის განტოლებებს (იხ. *გრავიტაცია*) და g_{ik} კომპონენტები x^1, x^2, x^3, x^0 კოორდინატების ფუნქციებია. ამასთან, არჩეულ ათვლის სისტემაში ამ ფუნქციების სახე დამოკიდებულია სივრცე-დროში მოთავსებულ მასებზე. როცა დიდი მასები არ არსებობს, მეტრიკული ტენზორი შეიძლება დაყვანილ იქნეს შემდეგ სახემდე:

$$g_{11} = g_{22} = g_{33} = -1,\ g_{00} = +1,\ g_{ik} = 0,$$
თუ $i \neq k$; (2)

მაშინ (მართკუთხა დეკარტის კოორდინატებში $x^1 = x$, $x^2 = y$, $x^3 = z$)

$$ds^2 = c^2dt^2 - dx^2 - dy^2 - dz^2. \qquad (3)$$

სივრცე-დრო ასეთი მეტრიკით წარმოადგენს *ევკლიდურ სივრცეს* (უფრო ზუსტად ფსევდოევკლიდურს dx^2, dy^2, dz^2 წინ „მინუს" ნიშნის გამო). მას „ბრტყელ სივრცეს" უწოდებენ. ასეთია ს.-დ. მ. (ანუ *მინკოვსკის სივრცის* ეკვივალენტური მეტრიკა) ფარდობითობის სპეც. თეორიაში.

დიდი მასების არსებობისას კოორდინატთა ვერავითარი გარდაქმნით მეტრიკულ ტენზორს ვერ დავიყვანთ (2) სახემდე მთელ სივრცე-დროში. ეს ნიშნავს, რომ სივრცე-დროს აქვს სიმრუდე, რ-იც განსაზღვრება g_{ik} კომპონენტებით და კოორდინატების მიხედვით მათი წარმოებულებით. ამრიგად, სივრცე-დროის გეომ. თვისებები (მისი მეტრიკა) დამოკიდებული მასში არსებულ მატერიაზე.

სივრცე-დროის სიმრუდე, სიდიდე ფარდობითობის ზოგად თეორიაში (გრავიტაციის თეორიაში); ახასიათებს სივრცე-დროის თვისებების გადახრას ბრტყელი სივრცე-დროის თვისებებიდან. ამ თეორიის თანახმად, მატერიის გრავიტაციული მოქმედება ვლინდება სივრცე-დროის გამრუდებაში. ეს გადახრა გამოისახება ს.-დ. ს-ის ტენზორით (ე. წ. რიმანის ტენზორით), რ-ის სახე განსაზღვრავს კოსმოლოგიურ მოდელებს (იხ. *კოსმოლოგია*).

სივრცითი კუთხე, სივრცის ნაწილი, შემოსაზღვრული რომელიღაც კონუსური ზედაპირით (ნახ. 1). ს. კ-ის კერძო შემთხვევებია სამწახნაგა და მრავალწახნაგა კუთხეები. ს. კ. იზომება კონუსური ზედაპირის წვეროში ცენტრის მქონე სფეროზე ამ კუთხით მოკვეთილი ზედაპირის ფართობის ფარდობით ამავე სფეროს R რადიუსის კვადრატთან. ცხადია, ს. კ. იზომება განყენებული რიცხვით. მაგ., ს. კ., რ-იც შეიცავს სივრცის 1/8 ნაწილს (ოქტანსი; ნახ. 2), იზომება $4\pi R^2/8R^2 = \frac{\pi}{2}$ რიცხვით. ს. კ-ის საზომი ერთეულია *სტერადიანი*. სრული სფერო შეადგენს 4π სტერადიანის ს. კ-ს.

სივრცითი მესერი, იხ. სტ. *კრისტალური მესერი*.

სივრცითი ჯგუფი სიმეტრიისა, ფიოდოროვის ჯგუფი, კრისტალების ატომური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი *სიმეტრიის* გარდაქმნათა (ოპერაციათა) ერთობლიობა. ს. ჯ-ის ფარგლებში სიმეტრიის გარდაქმნათა ერთობლიობა ემორჩილება *ჯგუფთა* მათ. თეორიას. ს. ჯ. არ განსაზღვრავს ატომთა კონკრ. განლაგებას კრისტალურ მესერში, იგი გვიჩვენებს მხოლოდ მათი ურთიერთგანლაგების სიმეტრიის უზოგადეს წესს. ს. ჯ-ის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს კრისტ. ნივთიერების სტრუქტურების კვლევის საქმეში. არსებობს 230 ს. ჯ., რ-ებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თეორიულად დაადგინეს 1890 — 91 ე. ს. *ფიოდოროვმა* და გერმ. მეცნ. ა. შენფლისმა. ნივთიერების ს. ჯ-ს ადგენენ რენტგენოგრაფიული მეთოდებით.

სივრცისა და დროის დაკვანტვა, ზოგადი სახელწოდება ელემენტარული ნაწილაკების თეორიის (*ველის კვანტური თეორიის*) განზოგადებისა, რასაც საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა სასრული მინიმალური მანძილებისა და დროის ინტერვალების არსებობის შესახებ. ამ განზოგადების მიზანია შინაგანი წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი თეორიის შექმნა, რ-შიც ყველა ფიზ. სიდიდე სასრული მიიღებოდა. ის წარმოდგენები სივრცისა და დროის შესახებ, რ-ებიც თანამედროვე ფიზ. თეორია სარგებლობს, ყველაზე უფრო თანამიმდევრულად ცალიბდება ა. აინშტაინის *ფარდობითობის თეორიაში*. ეს წარმოდგენები მაკროსკოპულია, ვინაიდან ისინი ეყრდნობიან მაკროსკოპული სხეულების, დიდი მანძილებისა და დროის დიდი შუალედების შესწავლის გამოცდილებას.

მიკროსკოპული მოვლენების თეორიის (*კვანტური მექანიკის*) შექმნისას ეს კლასიკური გეომ. სურათი, რ-იც სივრცისა და დროის უწყვეტობას გულისხმობს, პირდაპირ, ცოველგვარი ცვლილების გარეშე, იქნა გადატანილი. კვანტური თეორიის შედეგების ექსპერ. შემოწმება ჯერჯერობით ვერ მიგვითითებს ისეთი საზღვრის არსებობაზე, რ-ის იქითაც კლასიკური გეომ. წარმოდგენები გამოუსადეგარია. მაგრამ თვით ელემენტარული ნაწილაკების თეორია შეიცავს ისეთ სიძნელეებს, რ-ებიც ბადებს აზრს, რომ მაკროსკოპული ცდების საფუძველზე ჩამო-

ყალიბებული წარმოდგენები შეიძლება სწორი არ იყოს ისეთი მცირე მანძილებისა და დროის შუალედებისათვის, რ-ებიც დამახასიათებელია მიკროსამყაროსათვის და ამდენად შეიძლება საჭირო იყოს ფიზ. სივრცისა და დროის შესახებ წარმოდგენების გადასინჯვა.

თეორიის ეს სიძნელეები დაკავშირებულია ე. წ. განშლადობათა პრობლემასთან: ზოგიერთი ფიზ. სიდიდის გამოთვლა იძლევა უსასრულოდ დიდ მნიშვნელობებს, რ-თაც არავითარი ფიზ. აზრი არა აქვთ. განშლადობათა წარმოშობის მიზეზი ის არის, რომ ელემენტარული ნაწილაკები თანამედროვე თეორიაში განიხილება როგორც წერტილოვანი, ე. ი. მატერ. ობიექტები სივრცული განფენილობის გარეშე. უმარტივესი სახით ასეთი ტიპის განშლადობა თავს იჩენს ჯერ კიდევ კლასიკურ ელექტროდინამიკაში [წერტილოვანი დამუხტული ნაწილაკის კულონური ველის ენერგია უსასრულოდ დიდია იმის გამო, რომ ძალიან მცირე მანძილებზე ($r \to 0$) ველი შეუზღუდავად იზრდება].

განშლადობებისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზაა თეორიაში ე. წ. *l ფუნდამენტური სიგრძის*, როგორც ა.ხ. უნივერს. მუდმივის (მსგავსად h პლანკის მუდმივისა და c სინათლის სიჩქარისა), შემოტანა. ფუნდამენტური სიგრძის შემოღება შეესაბამება დაშვებას, რომ მანძილის გაზომვა პრინციპიულად შესაძლებელია მხოლოდ l სიზუსტით (ხოლო შესაბამისად დროისა — l/c სიზუსტით), ამიტომ l აგრეთვე მინიმალურ სიგრძესაც უწოდებენ. ფუნდამენტური სიგრძის არსებობა გარკვეული აზრით ნიშნავს ნაწილაკების არაწერტილოვნებასაც, რაც განშლადობებისაგან თავისუფალი თეორიის შექმნის იმედს იძლევა.

ფუნდამენტური სიგრძის შემოტანის ერთ-ერთი პირველი ცდაა უწყვეტი x, y, z კოორდინატებიდან და t დროიდან დისკრეტულზე $x \to n_1 l$, $y \to n_2 l$, $z \to n_3 l$, $t \to n_4 l/c$ გადასვლა, სადაც n_1, n_2, n_3, n_4 მთელი რიცხვებია, რ-ებმაც შეიძლება მიიღონ მნიშვნელობები მინუს უსასრულობიდან პლუს უსასრულობამდე. ასეთი შეცვლა გარკვეული აზრით ატომის პირველ თეორიაში ბორის დაკვანტვის წესის მსგავსია. სწორედ აქედან წარმოდგება ტერმ. „ს. და დ. დ.“ თუ განვიხილავთ დიდ მანძილებსა და დროის შუალედებს, მაშინ ყოველი „ელემენტარული ნაბიჯი“ l და l/c შეიძლება ჩაითვალოს უსასრულოდ მცირედ და „დიდი მასშტაბების“ გეომეტრიას ექნება ჩვეულებრივი სახე. დაკვანტვის ეფექტი მნიშვნელოვანია მხოლოდ ძალიან მცირე მანძილებისა და დროის ინტერვალებისათვის. მოცემული თეორიის მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ დისკრეტული კოორდინატებით აღწერილ სივრცეს „უჯრედოვანი“ სტრუქტურა აქვს, რაც აუცილებლად უნდა არღვეედეს სივრცის იზოტროპიულობას—ყველა მიმართულებების ეკვივალენტურობას. l მინ. სიგრძის შემოღება გამორიცხავს $\lambda < l$ სიგრძის ტალღების, ე. ი. იმ კვანტების არსებობას, რ-თა სიხშირე და, მაშასადამე, ენერგია უსასრულოდ დიდია ($\nu = c/\lambda$; $\varepsilon = hc/\lambda$). აქ ნათლად მჟღავნდება რა მნიშვნელოვანი ფიზ. ცვლილებები მოსდევს გეომ. წარმოდგენების შეცვლას.

ს. და დ. დ-ის პრობლემის კვანტური განხილვისას კოორდინატები და დრო განიხილება არა როგორც ჩვეულებრივი რიცხვები, არამედ როგორც ოპერატორები.

ლიტ.: Блохинцев Д. И., Пространство и время в микромире, 2 изд., М., 1982.

სივრცის აღქმა, საგნის სიდიდის, ფორმის, მდებარეობის, დაშორებულობის, მიმართულების აღქმა. სიბრტყის განფენილობა (სივრცის ორი განზომილება) იმთავითვე ახლავს ყოველ ოპტ. ან შეხებითს შეგრძნებას. მესამე განზომილების (რელიეფის, სიღრმის) აღქმა კი მხოლოდ თანდათან ვითარდება უმთავრესად ოპტ., კინესთეტიკურ და შეხებითს მოდალობათა კოორდინირებული მოქმედებისას საგანთა აღქმის პროცესში. ს. ა-ის ძირითადი ფაქტორებია: ბინოკულარული მხედველობა, რ-იც საგნის რელიეფურ სურათს იძლევა; თვალების კონვერგენცია (კოორდინირებული მოტრიალება შიგნით). მისი ხარისხი დამოკიდებულია ფიქსირებული საგნის დაშორების მანძილზე; რეტინალური გამოხატულების სიდიდე, რ-იც საგნის დაშორებულობის უკუპროპორციულია; თვალის ბროლის აკომოდაცია, რ-ის ხარისხი გაპირობებულია საგნის დაშორების მანძილით; პერსპექტიული გადახრა (საგნის დაშორებული მხარე მით უფრო პატარად გამოისახება ბადურაზე, რაც უფრო დაშორებულია, ამიტომ საგნის გამოხატულება სათანადოდ არის პერსპექტიულად გადახრილი — თანდათან შეიცროებული). დიდად დაშორებულ საგანთა ს. ა-ში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეორეული ფაქტორები: ჰაერის პერსპექტივა, საგანთა ნაწილობრივი დაფარვა, სივრცის შევსებულობა და სხვ.

ლიტ.: ნათაძე რ., [გამოკვლევები სივრცის მიმართულებათა აღქმის ფაქტორთა შესახებ], «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 3, 4 და 10; მისივე, ზოგადი ფსიქოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1977; უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940.

რ. ნათაძე.

სივრცული დაკვანტვა კვანტურ მექანიკაში, ნებისმიერად შერჩეული რომელიმე ღერძის (z ღერძის) მიმართ ატომის (ან სხვა ნაწილაკის, ან ნაწილაკთა სისტემის) მოძრაობის რაოდენობის მომენტის შესაძლო სივრცული ორიენტაციების დისკრეტულობა.

ს. დ. იმაში მჟღავნდება, რომ M მომენტის M_z პროექციას ამ ღერძზე შეუძლია მიიღოს დისკრეტული მნიშვნელობები, რ-ებიც ტოლია მთელი (0,1,2,...) ან მთელნახევარი (1/2, 3/2, 5/2,...) რიცხვის (m) ნამრავლისა $\hbar$ პლანკის მუდმივაზე $M_z = m\hbar$. ამასთან, მომენტის ორი სხვა M_x და M_y პროექცია რჩება განუსაზღვრელი, რადგან კვანტური მექანიკის ძირითადი დებულების თანახმად ერთდროულად ზუსტი მნიშვნელობები შეუძლიათ ჰქონდეთ მხოლოდ მომენტის სიდიდეს და მის ერთ-ერთ პროექციას.

სივრცული ინვერსია, იხ. სტ. ლუწობა.

სივრცული ზუხტი, მოცულობითი ზუხტი, ელექტრული ზუხტი რომელიმე მოცულობაში. ვინაიდან თავისუფალი ზუხტებისაგან შეუძლებელია სტატიკურად წონასწორული მოცულობითი სისტემის წარმოშობა (ირნშოუს თეორემა), ამიტომ ს. ზ-ის წარმოქმნა, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ელექტრული დენის გავლასთან. ს. ზ-ს წარმოქმნის თავისუფალი ელექტრონები ან იონები აირში, ვაკუუმსა და ელექტროლიტებში ელექტრული დენის გავლისას. ს. ზ. განსაზღვრავს ელექტრული პოტენციალის განაწილებას ელექტროვაკუუმური და აირგანმუხტვის ხელსაწყოების განმუხტვის შუალედის გასწვრივ, აგრეთვე მათი ვოლტამპერული მახასიათებლის სახეს.

სივრცული სისტემა სამშენებლო მექანიკაში, ნაგებობის მზიდი კონსტრუქციული სისტემა (მისი საანგარიშო სქემა), რ-საც ახასიათებს ძალვების სივრცითი განაწილება. ს. ს. შეიძლება შეიქმნას ერთმანეთთან შეერთებული ცალკეული ბრტყელი სისტემებისაგან. განასხვავებენ ღეროვან, თხელკედლიან, მასიურსა და კომბინირებულ ს. ს-ებს. ღეროვანი ს. ს. იქმნება ისეთი ელემენტებისაგან (ღეროებისაგან), რ-თაც ერთ-ერთი ზომა (სიგრძე) გაცილებით უფრო დიდი აქვთ, ვიდრე დანარჩენი ორი (მაგ., სივრცული წამწე, ჩარჩო, ელექტროგადაცემის ბაზის საყრდენი, ე. წ. სტრუქტურული სისტემების მზიდი კონსტრუქციები). უმარტივესი სივრცული წამწე არის სხვადასხვა სიბრტყეში მდებარე და ერთ წერტილში გადაკვეთილი 3 ღერო. წამწეს გეომეტრიული უცვლელობის პირობაა: $S_0 + S \geqslant 3n$, სადაც S_0 საყრდენი ღეროების რაოდენობაა, S—შიგა ღეროებისა, n კი—კვანძებისა. თხელკედლიანი ს. ს. წარმოადგენს ისეთი ელემენტების (ფირფიტების, გარსების) ერთობლიობას, რ-თა ერთ-ერთი ზომა (სისქე) 2 დანარჩენზე გაცილებით მცირეა (ღია და შეკრული *გარსები*, ნაკეცოვანი სისტემები, ვანტური და ფურცლოვანი კონსტრუქციები და სხვ.). ამ სახის ს. ს-ის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მასალის ხარჯს და მზიდი კონსტრუქციების მასას. მასიური ს. ს. ისეთი კონსტრ. სისტემაა, რ-ის ძირითადი ზომები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება (მაგ., *კაშხალი, საყრდენი კედელი*). კომბინირებული ს. ს. სხვადასხვა ს. ს-ის შეულლებაა, მაგ., ღეროვანისა და თხელკედლიანისა, თხელკედლიანისა და მასიურისა და ა. შ.; ს. ს-ის დასამზადებლად იყენებენ ხეს, ლითონს, რკინაბეტონს, პლასტმასებს და სხვ. ეს მასალები გაცილებით უფრო ნაკლები იხარჯება ს. ს-ში, ვიდრე ბრტყელ კონსტრუქციებში. იხ. *კომბინირებული სისტემა* სამშენებლო მექანიკაში.

ლ. მუხაძე.

სიზიგიები (ბერძნ. syzygia—შეერთება, შეწყვილება, წყვილი), ახალმთვარეობისა და სავსემთვარეობის (იხ. *მთვარის ფაზები*) საერთო სახელწოდება. ს-ის დროს მზე, მთვარე და დედამიწა დაახლ. ერთი წრფის გასწვრივაა, ამიტომ მთვარისა და მზის დაბნელება სწორედ ამ დროს ხდება. ამავე პერიოდში მზისიერი და მთვარისმიერი მოქცევები იკრიბება და ერთმანეთს აძლიერებს. ზოგჯერ პლანეტების შეერთებასა და პირისპირდგომასაც (იხ. *კონფიგურაციები* ასტრონომიაში) ს-ს უწოდებენ.

სიზიფე, იხ. *სისიფე.*

სიზმარი, ძილის მდგომარეობაში სრულიად უნებლიე აღმოცენება და მიმდინარეობა ფსიქიკური შინაარსებისა, უმთავრესად თვალსაჩინო წარმოდგენებისა, რაც ძირითადად უნებლიე ფანტაზიის ობიექტური სინამდვილით შეუზღუდავი გამოვლინებაა (ძილში ს-ის შინაარსს სუბიექტი რეალობად განიცდის). ზოგჯერ ს-ს პირველ ბიძგს აძლევს ან მის შინაარსში ჩაერთვის რეალური გამღიზიანებლით გამოწვეული შეგრძნებები. ამაზეა დამყარებული ს-ის ექსპერ. გამოწვევა სუსტი ოპტ., აკუსტიკური ან შეხებითი გამღიზიანებლებით. ფანტაზიის გამოვლენის ტიპური ფორმები განსაკუთრებით ფართოდ ვლინდება გაბმულშინაარსიან ს-ებში, ზოგჯერ კი ალეგორიული მნიშვნელობის წარმოდგენათა სახითაც. ასეთ ს-ში უნებლიე ფანტაზიას აამოქმედებს ხოლმე ცხოვრებაში დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება (ორგ. ან მაღალპიროვნული). ს-ში ფანტაზია იმას წარმოგვიდგენს, რის მიმართაც განწყობილი ვართ. მაგ., სასურველს; შეიძლება პირიქით მოხდეს, დაგვესიზმროს ის, რაც გვაწუხებს, გვაღელვებს, რის რიდი და შიშიც გვაქვს. ზოგჯერ ს-ში ფანტაზია აგრძელებს იმ მოქმედებას, რ-ის ინტენს. შესრულებისას ცხოვრებაში მოჰყვა ამ მოქმედების *განწყობის* ფიქსაცია (მაგ., მთარგმნელი, რ-იც მთელი დღის განმავლობაში თარგმნიდა, ს-შიც ამას აკეთებს). ს-ის ფიზიოლ. საფუძველია ძილის გამო შეკავებულ მდგომარეობაში მყოფი ტვინის ქერქის ცალკეული არეების გამოსვლა შეკავებული მდგომარეობიდან („განმუხრუჭება“), რაც ზოგჯერ წარმოდგენათა ფრაგმენტულ ქაოსურ მსვლელობასაც იწვევს.

ლიტ.: ნათაძე რ., რა არის სიზმარი, თბ., 1948; მისივე, ცრუმორწმუნეობა და სიზმარი, თბ., 1975; უზნაძე დ., ძილი და სიზმარი, თბ., 1936. რ. ნათაძე.

სიზრანი, ქალაქი რსფსრ კუიბიშევის ოლქში, ნავმისადგომი ვოლგის მარჯვ. ნაპირზე. სიზრანის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო კვანძი. 171 ათ. მცხ. (1983). ს. მანქანათმშ., ნავთობგადასამუშ., ფიქლის მრეწვ. და მურის წარმოების დიდი ცენტრია. კეების, მსუბუქი, საშენ მასალათა (მ. შ. ასფალტის) მრეწველობა. ს-ში არის კუიბიშევის პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, ნავთობის, მანქანათსაშ., სამკერვალო-სატრიკოტაჟო, პოლიტექ. ტექნიკუმები, სამედ., პედ. და სამუსიკო სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დრამ. თეატრი. ს. დაარსდა 1683-ში.

სიზუსტე, პროცესის განსახილველი პარამეტრის, ნივთიერების, საგნის მიახლოების ხარისხი მის თეორიულ ნომინალურ მნიშვნელობასთან.

1. დამუშავების ს., დამუშავებული ზედაპირის ფორმის, ზომისა და მდგომარეობის შესაბამისობა ნახაზისა და ტექ. პირობების მოთხოვნებთან.

2. მექანიზმების ს., მექანიზმების წევრების მოძრაობათა შორის დამოკიდებულების მიახლოების ხარისხი იმ მოცემულ დამოკიდებულებებთან, რ-თა განსახორციელებლად დაპროექტებული და დამზადებულია მექანიზმი. მოცემული დამოკიდებულება შეიძლება იყოს გეომ., ანალიზური, ლოგიკური. სხვაობას მექანიზმში არსებულ და მოცემულ დამოკიდებულებას შორის ეწოდება მექანიზმის შეცდომა.

3. ავტომატური მართვის სისტემების ს., ავტომ. მართვის სისტემის გამოსავალი ჭეშმარიტი სიგნალის მიახლოების ს. საჭიროსთან. ჭეშმარიტსა და საჭირო გამოსავალ სიგნალებს შორის სხვაობას ეწოდება შეცდომა. გარდამავალი პროცესების დამთავრების შემდეგ მუდმივი სიგნალის დამუშავების დამყარებულ შეცდომას უწოდებენ სტატ. შეცდომას, ხოლო ცვლადი სიგნალის დამუშავების მიმდინარე შეცდომას — დინამ. შეცდომას.

4. ციფრული გამომთვლელი მანქანის ს., ხასიათდება გამოთვლის შედეგის ცდომილების მაქს. მნიშვნელობით. გამოთვლის ცდომილება დამოკიდებულია: ა) მანქანაში შეტანილი რიცხვითი მონაცემების მიახლოებული წარმოდგენის (გამოსახულების) აბსოლ. ცდომილებაზე; ბ) გამოთვლის მიღებულ მეთოდზე; გ) არითმ. ოპერაციის შესრულების ხერხზე.

5. გაზომვის ს., გაზომვის შედეგების მიახლოების ხარისხი გასაზომი სიდიდის ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან. რაოდენობრივად ს. შეიძლება გამოისახოს ფარდობითი ცდომილების მოდულის შექცეული სიდიდით.

სიზუსტე მანქანათმშენებლობაში, დამუშავებული ნაკეთობის (დეტალის, კვანძის, მანქანის, ხელსაწყოს) მიახლოების ხარისხი წინასწარ დადგენილ პარამეტრებთან, რ-ებიც აღნიშნულია ნახაზზე, ტექ. პირობებსა და სტანდარტებში. დეტალების დამზადების, კვანძებისა და მანქანების აწყობისას აბსოლ. ს-ის მიღწევა შეუძლებელია. განასხვავებენ ზომების, ფორმის, დეტალის ზედაპირების ურთიერთმდებარეობის ს-ს. ზომის ცდომილებანი რეგლამენტირებულია ზღვრული გადახრებით დამუშავებათა სისტემის შესაბამისად. ფორმის ცდომილებანია: ოვალურობა, წახნაგურობა, ჩაღუნვა, კონუსურობა და სხვ. (ბრუნვის სხეულებისათვის); არასწორხაზოვნება და არასიბრტყეობა (ბრტყელი ზედაპირებისათვის). ზედაპირების ურთიერთმდებარეობის გადახრებს განეკუთვნება ღერძებისა და ზედაპირების არაპარალელურობა, არამართობულობა, არასიმეტრიულობა და სხვ.

კ. ნუცუბიძე.

სიზუსტის კლასები, სიზუსტის ხარისხები, სიზუსტის კვალიტეტები (<ლათ. qualitas–ხარისხი) მანქანათმშენებლობაში, ნაკეთობის (დეტალის, კვანძის, მანქანის, ხელსაწყოს) სიზუსტის მახასიათებელი, რ-იც განისაზღვრება დაშვების სიდიდით და მოცემულია სტანდარტებში (იხ. სტ. *სიზუსტე* მანქანათმშენებლობაში). 1977-მდე სსრკ-ში მოქმედებდა დაშვებებისა და ჩასმების საერთო საკავშ. სტანდარტები, რ-თა მიხედვით გლუვი ცილინდრული (1-იდან 500 *მმ*-მდე ზომებისათვის) შეერთებებისათვის არსებობდა შემდეგი ს. კ.: 02; 03; 04; 05; 06; 07; 08; 09; 1; 2; 2*a*; 3; 3*a*; 4; 5; 7; 8; 9; 10. ამჟამად მოქმედებს ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების დაშვებებისა და ჩასმების ერთიანი სისტემა, რ-იც შედგენილია საერთაშ. სისტემის (ISO) საფუძველზე. ამ სტანდარტებით გლუვი ცილინდრული შეერთებებისათვის ს. კ-ის ნაცვლად მოქმედებს სიზუსტის კვალიტეტები; კუთხვილიანი, კბილანური და სხვა შეერთებებისათვის კი — სიზუსტის ხარისხები. 1-იდან 500 *მმ*-მდე ზომებისათვის გვაქვს 19 კვალიტეტი: 0, 1; 0; 1; 2; 3... 17 (01 კვალიტეტი ყველაზე ზუსტია, 17 — ყველაზე უხეში). დაშვება რომელიმე კვალიტეტისა გამოისახება ლათ. ასოებით *IT* მაგ., *IT*7. 02; 03; 04; 05; 06; 07; 08; 09 ს. კ. და 01; 0; 1; 2... 4 სიზუსტის კვალიტეტები განკუთვნილია კიდური ზომების, კალიბრებისა და განსაკუთრებით ზუსტი შეერთებებისათვის; 1; 2; 2*a*; 3; 3*a*; 4; 5; ს. კ. და 5; 6;... 12 სიზუსტის კვალიტეტები — შეერთებისათვის, ხოლო 7; 8; 9; 10 ს. კ. და 13; 14... 17 კვალიტეტები თავისუფალი ზომებისათვის (რ-ებიც შეერთებებში არ შედიან). არალითონური და ჭრით დაუმუშავებელი ზედაპირებისათვის შეიძლება დაემატოს მე-18 კვალიტეტი. ს. კ-ს ან სიზუსტის კვალიტეტს განსაზღვრავენ დაშვების ერთეულების (*i*) მიხედვით. მაგ., საერთო საკავშ. სტანდარტების მიხედვით 1-იდან 500 *მმ*-მდე ზომებისათვის დაშვების ერთეული (*მკმ*-ში) $i=0{,}5\sqrt[3]{d}$, ამჟამად მოქმედი სტანდარტებით კი—$i=0{,}45\sqrt[3]{d}+0{,}001d$, სადაც d სამ. ზომაა დიამეტრების მოცემული ინტერვალისათვის, რ-ის ფარგლებშიც ირჩევენ ს. კ-ს ან სიზუსტის კვალიტეტს. რაც მეტია ზომის დაშვება, მით უფრო ნაკლებია სიზუსტე. დაშვების სიდიდე $T=a\cdot i$, სადაც a დაშვების ერთეულების რაოდენობაა და განსაზღვრავს ნაკეთობის ს. კ-ს ან სიზუსტის კვალიტეტს.

სიზუსტე განსაზღვრავს დეტალების აწყობის ტექნოლოგიასა და ნაკეთობის ღირებულებას. იგი მოქმედებს საკონტროლო მეთოდისა და საკონტროლო საშუალებათა შერჩევაზე, შეიძლება გავლენა იქონიოს ნამზადის მასალის შერჩევაზე, მის კონსტრუქციასა და სხვა თვისებებზე.

კ. ნუცუბიძე.

სითბო, სხეულის წარმომქმნელი ნაწილაკების (ატომების, მოლეკულებისა და სხვ.) უწესრიგო (სითბური) მოძრაობის ფორმა. ს-ს რაოდენობითი ზომაა სითბოს რაოდენობა, ე. ი. ენერგიის რაოდენობა, რ-საც იღებს ან გასცემს სისტემა თბოგადაცემის პროცესში. (როდესაც სისტემის მდგომარეობის მახასიათებელი გარე პარამეტრები: მოცულობა და სხვ. უცვლელი რჩება),მუშაობის მსგავსად ს-ს რაოდენობა სისტემის შინაგანი ენერგიის ცვლილების ზომაა. თბოგადაცემის პროცესში სისტემის შინაგანი ენერგია იცვლება თავისი მოლეკულებისა და გარემომცველ სხეულთა მოლეკულების უშუალო ურთიერთქმედების (დაჯახების) შედეგად.

განსხვავებით U შინაგანი ენერგიისაგან, რ-იც მდგომარეობის მახასიათებელი პარამეტრების ცალსახა ფუნქციაა, Q ს-ს რაოდენობა (ფიზ. პროცესებში U შინაგანი ენერგიის ცვლილების ერთერთი მდგენელია) არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც მდგომარეობის პარამეტრების რომელიმე ფუნქციის მნიშვნელობათა სხვაობა. სისტემისათვის გადაცემული Q ს-ს რაოდენობა, ისევე როგორც A მუშაობა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით გადადის სისტემა საწყისი მდგომარეობიდან საბოლოო მდგომარეობაში.

შექცევადი პროცესებისათვის, *თერმოდინამიკის მეორე საწყისის* თანახმად, ელემენტარული ს-ს რაოდენობა $\delta Q=TdS$, სადაც T აბსოლ. ტემპ-რაა, ხოლო dS — სისტემის *ენტროპიის* ცვლილება. ამგვარად, სისტემისათვის ს-ს გადაცემა მისთვის გარკვეული რაოდენობის ენტროპიის გადაცემის ეკვივალენტურია. თუ პროცესი შეუქცევია, $\delta Q<TdS$. Q ერთეულებია: ჯ, *კალ.*

სითბოგამოლუქცია, სითბოს წარმოშობა ცოცხალ ქსოვილებში, მათში მიმდინარე ენერგეტიკულ გარდაქმნათა შედეგად. ეს პროცესი სხვადასხვა ქსოვილში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. აქტ. ქსოვილებში (კუნთებში, ღვიძლში, თირკმლებში) სითბოს უფრო დიდი რაოდენობა გამოიყოფა, ვიდრე ნაკლებად აქტ. ქსოვილებში (შემაერთებელ ქსოვილში, ძვლებში, ხრტილებში). ს. დაკავშირებულია ცილისა და სხვა ორგ. ნაერთთა ბიოქიმ. სინთეზის პროცესთან, ოსმოსურ მუშაობასთან (იონთა ტრანსპორტი კონცენტრაციის გრადიენტის მოწინააღმდეგე მიმართულებით), კუნთოვანი ქსოვილის მექან. მუშაობასთან და სხვ. მოსვენების პირობებშიც კი ს. საკმაოდ მაღალია და აღწევს 1 *კკალ* (4,19 *კჯ*) 1 *სთ*-ში სხეულის ერთ *კგ* მასაზე. ს. ძლიერდება გარემოს ტემპ-რის დაქვეითებისას და, პირიქით, — სუსტდება მომატებისას. ს-ს ქიმ. თერმორეგულაციასაც უწოდებენ. თუ ს-ის პროცესები აჭარბებენ სითბოს გაცემის პროცესებს, მაშინ ვითარდება ორგანიზმის გადახურება — ჰიპერთერმია.

ა. *ბაკურაძე.*

სითბოს გაცემა ფიზიოლოგიაში, სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობისას ორგანიზმში წარმოშობილი სითბოს გაცემა გარემოში. ს. გ. ხორციელდება გამოსხივებით, სითბოს გატარებით (კონვექციით) და აორთქლებით. ს. გ-თვის მნიშვნელობა აქვს სითბოს წარმოშობის წყაროს. თუ სითბოს პროდუქცია იზრდება კუნთური მუშაობის ხარჯზე მაშინ ს. გ. უპირატესად წყლის აორთქლების გზით ხდება. ს. გ-თვის დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის გადანაწილებას სისხლძარღვებში და მოცირკულირე სისხლის რაოდენობას. სიცივის დროს კანის სისხლძარღვები ვიწროვდება და კანის გზით სისხლიდან სითბო ნაკლებად გაიცემა. პირიქით ხდება გარემოს ტემპერის მომატების დროს. როდესაც გარემოს ტემპ-რა უახლოვდება კანის ზედაპირის ტემპ-რას (34°C), ს. გ-ის მხოლოდ ერთი გზა რჩება — ს. გ. წყლის აორთქლებით ან *სითბური ქოშინით* ისეთ ცხოველებში, რ-ებიც არ ოფლიანდებიან. ადამიანმა 1 *სთ*-ში შეიძლება გამოყოს 2 ლ ოფლი, რაც უზრუნველყოფს მოკლე დროით ნორმალური ტემპ-რის შენარჩუნებას გარემოს საკმაოდ მაღალი ტემპ-რის (50°C) პირობებში.

ა. *ბაკურაძე.*

სითბოს მექანიკური ეკვივალენტი, მუშაობის რაოდენობა A, რ-იც ენერგეტიკულად სითბოს რაოდენობის ერთეულის ეკვივალენტურია. ს. მ. ე. $I=A/Q=4{,}1868$ ჯ/*კალ*. ს. მ. ე-ის ცნება წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ მექან. მუშაობა და სითბოს რაოდენობა ისტორიულად სხვადასხვა ერთეულით იზომებოდა. მექან. მუშაობისა და სითბოს ეკვი-

ვალენტურობის დადგენასთან (იხ. *ენერგიის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონი*) ერთად ზუსტად გაზომეს ს. მ. ქ. (ჯ. ჯოული, 1843—78; შვედი მეცნიერი ე. ედმუნდი, 1865; ამერ. ფიზიკოსი ჰ. როულანდი, 1879 და სხვ.). გაზომვის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ 1 *კკალ*=426,9 *კგმ · მ. ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) არ არის აუცილებელი ს. მ. ე-ით სარგებლობა. ამ სისტემაში როგორც მუშაობის, ისე გადაცემული სითბოს რაოდენობის გასაზომად მიღებულია ერთი ერთეული ჯოული, ე. ი. I=1. ს. მ. ე-ის შებრუნებულ სიდიდეს უწოდებენ მ უ შ ა ო ბ ი ს ს ი თ ბ უ რ ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ს: k=1/I.

სითბოს მოყვარული მცენარეები, მცენარეები, რ-თა ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია მაღალი ტემპ-რა. ასეთი მცენარეები იზრდებიან ტროპ. და სუბტროპ. სარტყლებში, მათი სიცოცხლის ქვედა ტემპ-რული ზღვარი 0°C-ზე მაღალია. მაგ., თბილი ზღვების წყალმცენარეები იღუპებიან 5—14°C-ზე, ტროპ. ხემცენარეების ნერგები ხმებიან 3—5°C-ზე; სამხრეთული კულტ. მცენარეები (ბრინჯი, ბამბა, საზამთრო, გოგრა, ბადრიჯანი და სხვ.) ჭკნებიან ტემპ-რის 2—5°C-მდე დაწევისას. დაბალ დადებით ტემპ-რაზე მცენარის დაღუპვის მიზეზია ნივთიერებათა ცვლის შეუქცევადი დარღვევა, პირველ რიგში, ფერმენტული სისტემის მოშლა. *ჯ. ჩიკვაიძე.*

სითბოს ცენტრი, თ ე რ მ ო რ ე გ უ ლ ა ც ი ი ს ც ე ნ ტ რ ი, სპეციფიკურ ნერვულ უჯრედთა ერთობლიობა, რ-იც თავმოყრილია ჰიპოთალამუსსა და ზოგიერთ სხვა ნერვულ სტრუქტურაში და უზრუნველყოფს სხეულის ტემპ-რის მუდმივი დონის შენარჩუნებას თბილსისხლიან ცხოველებსა (იხ. *ჰომოიოთერმული ცხოველები*) და ადამიანში. ჰიპოთალამუსის წინა ნაწილში ხდება სითბოს გაცემის რეგულაციის, ხოლო მის უკანა ბირთვებში — სითბოპროდუქციის კონტროლი. ს. ც-ის ზოგი ნეირონი, ე. წ. „თერმოდეტექტორი" აღჭურვილია მაღალი ტემპ-რული მგრძნობელობით და სისხლის ტემპ-რის ნორმაზე ზევით აწევისას გზავნის დიდი რაოდენობის, ხოლო დაქვეითებისას უფრო ნაკლები რაოდენობის იმპულსებს. სხვა, ე. წ. „მაინტეგრირებელი" ნერვული უჯრედები სხეულის სხვადასხვა მიდამოდან მოსულ ტემპ-რულ გაღიზიანებას აჯამებენ და თავის მხრივ გზავნიან იმპულსებს თერმოსარეგულაციო სისტემის ეფექტორულ ორგანოებთან (კანის სისხლძარღვები, საოფლე ჯირკვლები, კუნთები, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები და სხვ.) და ანელიერებენ ან ასუსტებენ სითბოს პროდუქციას და სითბოს გაცემას იმის მიხედვით, თუ როგორია სისხლისა და გარემოს ტემპ-რა. ს. ც-ის მოქმედების კონტროლი ხდება ცენტრ. ნერვული სისტემის უმაღლეს განყ-ებებში, სახელდობრ ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქში. *ა. ბაკურაძე.*

სითბური ბალანსი, სასარგებლოდ გამოყენებული და დაკარგული სითბოს შეპირისპირება სხვადასხვა სითბური პროცესის მიმდინარეობისას. ტექნიკაში ს. ბ-ს იყენებენ ორთქლის ქვაბში, ღუმელში, თბურ ძრავასა და მისთ. მიმდინარე სითბური პროცესების საანალიზოდ. ს. ბ-ს ადგენენ ენერგიის ერთეულებით (*ჯ, კალ*) ან გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე მოსული სითბოს საერთო რაოდენობით %-ებში და ა. შ. მეცნ. კვლევის დროს ს. ბ-ს იყენებენ მრავალი ასტროფიზ., გეოფიზ., ქიმ., ბიოლ. და სხვა პრობლემების გადაწყვეტისას. ს. ბ-ს ანგარიშობენ პროცესში მონაწილე ნივთიერებათა ფიზ. სითბოს (*ენთალპიის*) და შესაბამისი ქიმ. რეაქციების სითბოს საფუძველზე. რთული პროცესების დროს (განსაკუთრებით მეტალურგიაში, ქიმ. ტექნოლოგიაში და ა. შ.) ს. ბ-ს წინ უსწრებს მატერ. ბალანსის აგება. განასხვავებენ საანგარიშო და ექსპერ. ს. ბ-ს. ამ უკანასკნელს ადგენენ თბური გამოცდის მონაცემების საფუძველზე. ს. ბ-ს გამოსახავენ განტოლებით, ცხრილით ან დიაგრამით. მაგ., ორთქლის ქვაბის ს. ბ. გამოისახება განტოლებით: $Q_{ფ.ს.}+Q_{ფ.ს.}+Q_{ჰ}=Q_1+Q_2+Q_3+Q_4+Q_5$; სადაც $Q_{ფ.ს.}$ არის სათბობის წვის სითბო, $Q_{ფ.ს.}$ — სათბობის ფიზ. სითბო, $Q_{ჰ}$ — ჰაერის ფიზ. სითბო, Q_1 — სითბო, რ-იც გადაეცა მუშა სხეულს, Q_2 სითბოს დანაკარგი, გამოწვეული წამავალი აირებით, Q_3, Q_4 — სითბოს დანაკარგი, რასაც იწვევს სათბობის ქიმ. და მექან. უკმარწვა; Q_5 — სითბოს დანაკარგი, გამოწვეული. გარემოში გამოსხივებით.

ს. ბ-ის მონაცემებით განსაზღვრავენ *მარგი ქმედების კოეფიციენტების* რიცხვით მნიშვნელობას როგორც ცალკეული ნაწილებისათვის, ისე მთელი დანადგარისათვის. ენერგიის რამდენიმე სახეობის გამომმუშავებელი დანადგარების ეკონომიურობის შესაფასებლად შეიძლება ე. წ. ექსერგიული ბალანსის გამოყენება.

სითბური ბალანსი დ ე დ ა მ ი წ ი ს ა, სხივური და თბური ენერგიის შემოსავლისა და გასავლის თანაფარდობა დედამიწის ზედაპირზე, ატმოსფეროსა და დედამიწა—ატმოსფეროს სისტემაში. ატმოსფეროში, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროს ზედა ნაწილში მიმდინარე ფიზ., ქიმ., და ბიოლ. პროცესების უმრავლესობის ენერგიის წყაროა *მზის რადიაცია.* დედამიწის საერთო ს. ბ-ის შესწავლის მიზნით ცალ-ცალკე განიხილავენ დედამიწის ზედაპირის უბნის, ატმოსფეროს ვერტ. სვეტისა და ატმოსფეროსა და ლითოსფეროს (ან ჰიდროსფეროს) ზედა ფენაში გამავალი ვერტ. სვეტის ს. ბ-ს.

დ ე დ ა მ ი წ ი ს ზ ე დ ა პ ი რ ი ს ს. ბ. გამოისახება $R+P+F_0+LE=0$ განტოლებით, რ-იც წარმოადგენს დედამიწის ზედაპირსა და გარემომცველ სივრცეს შორის არსებული ენერგიის ნაკადების ალგებრულ ჯამს. ამ განტოლებაში R არის დედამიწის ზედაპირის *რადიაციული ბალანსი*; P—სითბოს ტურბულენტური ნაკადი ქვეფენილ ზედაპირსა და ატმოსფეროს შორის; F_0 — სითბოს ნაკადი დედამიწის ზედაპირსა და ლითოსფეროს (ან ჰიდროსფეროს) ღრმა ფენებს შორის; LE — წყლის აორთქლებისათვის დახარჯული სითბო (L — აორთქლების სითბო, E — აორთქლებული წყლის მასა). LE— სიდიდე დამოკიდებულია დედამიწის ზედაპირის დანესტიანებაზე, მის ტემპ-რაზე, ჰაერის ტენიანობაზე და მიწისპირა ჰაერის ფენაში ტურბულენტური თბოცვლის ინტენსიურობაზე, რ-იც განსაზღვრავს დედამიწის ზედაპირიდან ატმოსფეროში წყლის ორთქლის გადატანის სიჩქარეს.

ა ტ მ ო ს ფ ე რ ო ს ს. ბ. გამოისახება $R_a+Lr+P+F_a=\Delta W$ განტოლებით. R_a ატმოსფეროს რადიაციული ბალანსია; Lr— ატმოსფეროში წყლის ფაზური გარდაქმნების დროს გამოყოფილი ან შთანთქმული სითბო (r — ატმ. ნალექების ჯამი); L— ფაზური გარდაქმნის სითბო, P — სითბოს ტურბულენტური ცვლა ატმოსფეროსა და დედამიწის ზედაპირს შორის, F_a — სითბოს ადვექცია, ΔW — თბოშემცველობის ცვლილება ატმოსფეროს სვეტის შიგნით.

დ ე დ ა მ ი წ ა — ა ტ მ ო ს ფ ე რ ო ს ს ი ს ტ ე მ ი ს ს. ბ-ის განტოლება შეესაბამება დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს ს. ბ-ის განტოლებათა წევრების ალგებრულ ჯამს. დედამიწის ს. ბ-ს ახასიათებს განედური ზონალურობა. ს. ბ-ის მდგენელების სიდიდე მიიღება უშუალოდ მეტეოროლ. დაკვირვებების ან კლიმატოლ. გაანგარიშებების გზით. მონაცემებს ს. ბ-ის შესახებ ფართოდ იყენებენ კლიმატოლოგიაში, ჰმელეთის ჰიდროლოგიაში, ოკეანოლოგიაში, გლაციოლოგიაში, აგროკლიმატოლოგიასა და სხვ.

ლიტ.: Атлас теплового баланса земного шара, под ред. М. И. Будыко, М., 1963.

სითბური ბარიერი, საფრენი აპარატის მოძრაობის სიჩქარის ზღვარი, რ-ის გადალახვის შედეგად ირღვევა მისი კონსტრუქცია. საფრენი აპარატის დიდი სიჩქარით (დიდი M რიცხვით, იხ. *მახის რიცხვი*) მოძრაობისას ხახუნის ძალებისა და ნაკადის დამუხრუჭების შედეგად მისი ზედაპირი ხურდება. ფრენის სიჩქარის ზრდასთან ერთად იზრდება გახურების ინტენსივობაც. დიდი სიჩქარით მოძრავ საფრენ აპარატებს ფარავენ სპეც. თბოგამძლე მასალით, ამასთან ერთად ეკიპაჟის მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებას. იხ. აგრეთვე *აბლაცია* და *აეროდინამიკური გახურება.* *რ. კაჭარავა.*

სითბური გამოსხივება, ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ა მ ო ს ხ ი ვ ე ბ ა, ნივთიერების მიერ ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივება შინაგანი ენერგიის ხარჯზე (განსხვავებით, მაგ. *ლუმინესცენციისაგან*, რ-ის დროსაც გამოსხივება, ხდება ენერგიის გარეგანი წყაროს ხარჯზე). ს. გ-ის სპექტრი უწყვეტია. მაქსიმუმის მდებარეობა სპექტრში დამოკიდებულია ნივთიერების ტემპ-რაზე, რ-ის გაზრდით იზრდება ს. გ-ის სრული ენერგია, ხოლო მაქსიმუმი ინაცვლებს მაღალი სიხშირეებისაკენ (მცირე ტალღის სიგრძეთა არისაკენ). ს. გ. ხდება, მაგ. ვაკვარვარებული ლითონის ზედაპირიდან, დედამიწის ატმოსფეროდან და ა. შ.

ს. გ. აღიძვრება ნივთიერების დეტალური წონასწორობის პირობებში (დ ე ტ ა ლ უ რ ი წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ს თანახმად, თერმოდინ. წონასწორობისას ნებისმიერი მიკროპროცესი მიმდინარეობს ისეთივე სიჩქარით, როგორითაც მისი შებრუნებული პროცესი) ყველა უგამოსხივებო პროცესისათვის — ნაწილაკთა სხვადასხვა ტიპის დაჯახებებისათვის აირებსა და პლაზმაში, ელექტრონულ და რხევით მოძრაობათა შორის ენერგიების გაცვლისას მყარ სხეულებში და სხვ. ნივთიერების წონასწორულ მდგომარეობას სივრცის ყოველ წერტილში→ლოკალური თერმოდინ. წონასწორობის (ლთწ-ის) მდგომარეობას—ახასიათებს ტემპ-რის გარკვეული მნიშვნელობა, რ-იც განსაზღვრავს ს. გ-ს მოცემულ წერტილში.

ლთწ-ის დროს ს. გ. არ არის ნივთიერებასთან წონასწორობაში; უფრო ცხელი სხეულები მეტს გამოასხივებენ, ვიდრე შთანთქავენ, ხოლო ცივი სხეულები—პირიქით; ხდება გამოსხივების გადატანა უფრო ცხელი სხეულებიდან უფრო ცივ სხეულებზე. სრულ თერმოდინ. წონასწორობაში მყოფ სხეულთა სისტემის ყოველ წერტილში ტემპ-რა ერთნაირია და ყოველი ცალკეული სხეულის ს. გ-ის ენერგია კომპენსირდება მის მიერვე შთანთქმული სხვა სხეულების ს. გ-ის ენერგიით. ასეთ შემთხვევაში დეტალური წონასწორობა სრულდება გამოსხივებადი პროცესებისთვისაც. ს. გ. თერმოდინ. წონასწორობაშია ნივთიერებასთან და მას წ ო ნ ა ს წ ო რ უ ლ ი გ ა მ ო ს ხ ი ვ ე ბ ა ეწოდება (წონასწორულია აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივება). წონასწორული გამოსხივების სპექტრი არ არის დამოკიდებული ნივთიერების ბუნებაზე და განისაზღვრება პლანკის გამოსხივების კანონით. აბსოლ. შავი სხეული შთანთქავს მასზე დაცემული წონასწორული გამოსხივების ყველა ფოტონს და ამავე დროს თავისი ს. გ-ით ანაზღაურებს ფოტონების შემცირებულ რაოდენობას, ხოლო სხეული, რ-იც შთანთქავს მასზე დაცემული ფოტონების ნაწილს, ნაკლებს ასხივებს, ვინაიდან ნაკლებად მცირდება წონასწორული გამოსხივების ფოტონების რაოდენობა, რ-იც მან

უნდა შეავსოს. გახურებული სხეულების ს. ბ. ზოგადად აიწერება კირხჰოფის გამოსხივების კანონით, რ-იც აკავშირებს სხეულის გამოსხივებისა და შთანთქმის უნარს აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივებისა და შთანთქმის უნართან.

ლიტ.: Планк М., Теория теплового излучения, пер. с нем., Л.—М., 1935.

სითბური გაფართოება, სხეულის ზომების ცვლილება მისი გახურების პროცესში. რაოდენობრივად ს. გ-ს მუდმივი წნევა-ს დროს ახასიათებენ გაფართოების იზობარული კოეფიციენტით (ს. გ-ის მოცულობითი კოეფიციენტი) $\alpha_V = \frac{1}{V_0}\left(\frac{dV}{dT}\right)_p$, სადაც V_0 არის სხეულის ე.წ. „ნორმალური" მოცულობა, რ-იც შეესაბამება $T_0=273{,}15$K ტემპ-რას, α_V ახასიათებს სხეულის მოცულობის ფარდობითს გაფართოებას $\Delta V/V_0$ ერთი გრადუსით გათბობისას. პრაქტიკულად (მყარი სხეულისათვის საკმაოდ ზუსტად) α_V მნიშვნელობას განსაზღვრავენ თანაფარდობიდან: $\alpha_V = \frac{V_2 - V_1}{V_1(T_2 - T_1)}$, სადაც V_1 და V_2 არის აირის, სითხის ან მყარი სხეულის მოცულობები T_1, T_2 ტემპ-რებზე ($T_2 > T_1$), V_1— სხეულის საწყისი მოცულობა ($T_2 - T_1$ ტემპ-რათა სხვაობა მცირე უნდა იყოს). მყარ სხეულთა ს. ბ-ის დასახასიათებლად α_V-თან ერთად შემოაქვთ წრფივი ს. ბ-ის კოეფიციენტი $\alpha_l = \frac{1}{l_0}\left(\frac{dl}{dT}\right)_p$, სადაც l_0 არის ე. წ. „ნორმალური" სიგრძე, რ-იც შეესაბამება $T_0=273{,}15$K ტემპ-რას არჩეულ მიმართულების გასწვრივ, α_l ახასიათებს სხეულის ფარდობითს წაგრძელებას ერთი გრადუსით გათბობის-ას. ზოგად შემთხვევაში ანიზოტროპიული სხეულისათვის $\alpha = \alpha_x + \alpha_y + \alpha_z$. ამასთან, ს. ბ-ის კრისტალოგრაფიული x, y, z ღერძების გასწვრივ წრფივი ს. ბ-ის α_x, α_y, α_z კოეფიციენტებს შორის განსხვავებას ან ტოლობას განსაზღვრავს კრისტალთა სიმეტრია. მაგ., კუბური სისტემის კრისტალებისათვის, ისე როგორც იზოტროპიული სხეულებისათვის $\alpha_x = \alpha_y = \alpha_z = \alpha_l$ და $\alpha_V \approx 3\alpha_l$. სხეულთა უმრავლესობისათვის $\alpha_V > 0$, მაგრამ არსებობს გამონაკლისი, მაგ., წყალი 0-იდან 4°C-მდე გახურებისას ატმ. წნევის დროს იკუმშება ($\alpha_V < 0$). α_V-ს დამოკიდებულება T-ზე უფრო მეტად შესამჩნევია აირებისათვის (იდეალური აირებისათვის $\alpha_V = 1/T_0$; $T_0 = 273{,}15$ K). სითხეებისათვის იგი სუსტად მკლავნდება, ზოგი ნივთიერებისათვის (კვარცი, ინვარი და სხვ.) მყარ მდგომარეობაში α_V კოეფიციენტი მცირეა და პრაქტიკულად მუდმივია ტემპ-რათა ფართო ინტერვალში, როცა $T \to 0$, ს. ბ-ის კოეფიციენტი $\alpha_V \to 0$. აირთა ს. ბ-ს განაპირობებს მათი ნაწილაკების კინეტიკური ენერგიის ზრდა და ამ ენერგიის ხარჯზე გარე წნევის წინააღმდეგ მუშაობის შესრულება. მყარი სხეულებისა და სითხეების ს. ბ. დაკავშირებულია ატომთა სითბური რხევების არასიმეტრიულობასთან (ანჰარმონიულობასთან), რის გამოც ატომთშორისი მანძილები T გადიდებით იზრდება. α_V და α_l ექსპერიმენტულად ზომავენ *დილატომეტრიის* მეთოდებით. სხეულთა ს. ბ-ს ითვალისწინებენ ცვლადი ტემპ-რის პირობებში მომუშავე ყველა დანადგარის, ხელსაწყოსა და მანქანის კონსტრუირებისას.

ლიტ.: Новикова С. И., Тепловое расширение твердых тел, М., 1974.

სითბური მკურნალობა, თ ე რ მ ო თ ე რ ა პ ი ა, ფიზიოთერაპიული მეთოდების ერთობლიობა, რ-ის დროსაც იყენებენ ბუნებრივი და ხელოვნური წყაროების სითბოს. არასტაციონარულ პირობებში იყენებენ წყლისა და ელექტრო-სათბურებს, თბილ კომპრესს, გამთბარ სილას და სხვ. სამკურნ. დაწესებულებებში ს. მ. ტარდება მინინის ელექტრული ვარვარის ნათურებით, ინფრაწითელი სხივებით (იხ. *სინათლით მკურნალობა*), ტალახით (იხ. *ტალაითი მკურნალობა*), პარაფინით (იხ. *პარაფინოთერაპია*) და სხვ. სხეულის ქსოვილებში სითბოს წარმოქმნის გასაძლიერებლად იყენებენ *ინდუქტოთერმიას*, მაღალი სიხშირის ელექტრულ ველს და მიკროტალღებს. ბუნებრივი სითბოსმატარებლების (სამკურნ. ტალახი, ოზოკერიტი, პარაფინი და სხვ.) გამოყენებისას ტემპ-რული მოქმედების გარდა ვლინდება მათი ქიმ. და მექან. მოქმედებაც.

ს. მ-ის მოქმედების მექანიზმი რთულია; ის მოიცავს როგორც ადგილ. (კეროვან), ისე ზოგად რეაქციებს. ადგილობრივი რეაქცია უმეტესად ვლინდება სისხლისა და ლიმფის მიმოქცევისა და ნერვულტროფიკული პროცესების გაუმჯობესებით, რაც განაპირობებს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაჟუჩებელ და განმწოვ ეფექტს. ზოგადი რეაქციები დაკავშირებულია რეფლექსურ-ჰუმორულ გავლენასთან, გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინულ, იმუნოკომპეტენტურ და ორგანიზმის სხვა სისტემებთან. ს. მ-ს იყენებენ საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის, ყელის, ყურის, ცხვირის, შარდ-სასქესო სისტემის ზოგიერთი დაავადების, ტრავმის, მუცლის ღრუში სხვადასხვა შეხორცებითი პროცესის დროს. ს. მ-ის გამოყენება არ შეიძლება სიმსივნის, ტუბერკულოზის აქტ. ფორმის, სისხლის დაავადების, სისხლის მიმოქცევის დეკომპენსაციით მიმდინარე გულ-სისხლძარღვთა დაავადების, მწვავე ანთებითი პროცესის და სხვათა დროს.

სითბური ნაკადი, სითბოს რაოდენობა, რ-იც გადის იზოთერმულ ზედაპირში დროის ერთეულში. ს. ნ-ის განზომილება ემთხვევა სიმძლავრის განზომილებას. ს. ნ. იზომება *ვატებით* ან *კკალ/სთ* (1 *ვტ* = 0,86 *კკალ/სთ*). იზოთერმული ზედაპირის ერთეულზე დანაგარიშებულ ს. ნ-ს უწოდებენ ს. ნ-ის სიმკვრივეს, კუთრ ს. ნ-ს ან სითბურ დატვირთვას; აღნიშნავენ q-თი, იზომება $ვტ/მ^2$-ზე ან $კკალ/(მ^2 \cdot სთ)$-ზე. ს. ნ-ის სიმკვრივე ვექტორია. მისი ნებისმიერი კომპონენტი რიცხობრივად უდრის სითბოს იმ რაოდენობას, რ-იც გადის დროის ერთეულში აღებული კომპონენტის მიმართულების პერპენდიკულარული ფართობის ერთეულში.

სითბური ფილტრი, სამარჯვი ან ოპტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი, რ-ის დანიშნულებაა ამ სისტემაში გამავალი სინათლის ნაკადისაგან ინფრაწითელი (თბური) სხივების მოცილება. თბური სხივები ან შთაინთქმება ან გადმოძევდება სინათლის ნაკადიდან. უმარტივესი ს. ფ. მინის ფირფიტაა, რ-იც ატარებს სინათლის (ხილულ) სხივებს და შთანთქავს თბურ სხივებს. ს. ფ-ს იყენებენ ბიოლ. *მიკროსკოპისა* და მიკროფოტოდანადგარის სანათში, აგრეთვე სხვადასხვა საპროექციო ხელსაწყოში.

სითბური ჯოშინი, სუნთქვის მკვეთრი აჩქარება, რაც მრავალ *ჰომოიოთერმულ ცხოველს* ემართება ორგანიზმის გადაგრილების საშიშროების დროს. ს. ჯ. აფერხებს სხეულის ტემპ-რის აწევას *სითბოს გაცემისა* და ზედა სასუნთქ გზებსა და პირის ღრუს ლორწოვან გარსში სისხლის მიმოქცევის გაძლიერებით. ს. ჯ. წარმოიქმნება კანის სპეციფ. თერმორეცეპტორების, შინაგანი ორგანოებისა და ცენტრ. ნერვული სისტემის ნერვული უჯრედების გაღიზიანების შედეგად. ახასიათებს მტაცებლებს, მღრღნელებს, წყვილჩლიქოსნებსა და სხვ. სუსტად აქვთ განვითარებული ფრინველებს. *ა. ბაკურაძე.*

სითხე, ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა, რ-იც შუალედურია მყარ და აირულ მდგომარეობებს შორის. ს-ს შენარჩუნებული აქვს როგორც მყარი სხეულის, ისე აირის ზოგიერთი თვისება, მაგრამ ამავე დროს მას აქვს განსაკუთრებული თვისებებიც, რ-ებიც მხოლოდ თხევადი მდგომარეობისათვისაა დამახასიათებელი, მაგ. დენადობა. მყარი სხეულების მსგავსად ს-ს აქვს თავისი მოცულობა, თავისუფალი ზედაპირი, გარკვეული სიმტკიცე ყოველმხრივი გაჭიმვის დროს და ა. შ. მეორე მხრივ, საკმარისი რაოდენობით აღებული ს. ყოველთვის იღებს იმ ჭურჭლის ფორმას, რ-შიც ასხია. ს-ის აირად უწყვეტი გადაქცევის პრინციპული შესაძლებლობა მიუთითებს თხევადი და აირული მდგომარეობების სიახლოვეზე.

ქიმ. შემადგენლობის მიხედვით განასხვავებენ ერთკომპონენტიან (ანუ სუფთა) და ორ- ან მრავალკომპონენტიან თხევად ნარევებს (*ხსნარები*). ფიზ. ბუნების მიხედვით ს-ები იყოფა ნორმალურ (ჩვეულებრივ) ს-ებად, *თხევად კრისტალებად* ძლიერად გამოკვეთილი ანიზოტროპიით (თვისებათა დამოკიდებულება მიმართულებაზე) და *კვანტურ სითხეებად* (თხევადი ^{4}He და ^{3}He, მათი ნარევები), რ-თაც დაბალ ტემპ-რაზე სპეციფ. კვანტური თვისებები აქვთ. ნორმალურ სუფთა ს-ს მხოლოდ ერთი თხევადი ფაზა აქვს. *ჰელიუმი* ^{4}He შეიძლება იყოს ორ თხევად ფაზაში — ნორმალურსა და ზედენად ფაზაში, თხევადკრისტალური ნივთიერებები კი — ნორმალურსა და ერთ ან ორ ანიზოტროპიულ ფაზაში. ყველა ნორმალური ს-ისა და ნარევისათვის დამახასიათებელია მაკროსკოპული ერთგვაროვნება და იზოტროპიულობა. ეს თვისებები ს-ებს აახლოებს აირებთან, მაგრამ მკვეთრად განასხვავებს მათ კრისტ. მყარი სხეულებისაგან, რ-ებისთვისაც დამახასიათებელია ანიზოტროპიულობა. ამორფული მყარი სხეულები, მაგ., მინები, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გადაცივებული ს.; ჩვეულებრივი ს-ებისაგან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ კინეტიკური მახასიათებლების რიცხვითი მნიშვნელობებით. ნორმალური თხევადი ფაზის არსებობის არე დაბალი ტემპ-რების მხრიდან შემოსაზღვრულია ფაზური გადასვლით მყარ მდგომარეობაში (კრისტალიზაცია) ან ფაზური გადასვლით ზედენად მდგომარეობაში ^{4}He-თვის და თხევად ანიზოტროპიულ მდგომარეობაში თხევადი კრისტალებისათვის. თუ წნევა კრიზისულ p_k წნევაზე დაბალია, მაღალი ტემპ-რების მხრიდან თხევადი მდგომარეობა შემოსაზღვრულია ფაზური გადასვლით აირულ მდგომარეობაში (აორთქლებით). $p > p_k$ წნევების დროს ფაზური გადასვლა არ არსებობს და თავისი ფიზ. მონაცემების მიხედვით ს. ამ არეში მკვრივი აირისაგან განურჩეველია. უდიდეს T_k ტემპ-რას, რ-ის დროსაც კიდევ შეიძლება ფაზური გადასვლა ს. — აირი, კ რ ი ზ ი ს ს ს უწოდებენ. p_k და T_k მნიშვნელობები განსაზღვრავს სუფთა ს-ის კრიზისულ წერტილს, რ-შიც ს-ისა და აირის თვისებები იგივეობრივი ხდება. კრიზისული წერტილების არსებობა ს. — აირი ფაზური გადასვლისათვის საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ უწყვეტი გადასვლა თხიერი მდგომარეობიდან აირულში იმ არის გარეშე, სადაც აირი და ს. თანაარსებობენ (იხ. *კრიზისული მდგომარეობა*).

ს-სა და კრისტალებში *მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებები* თავისი ბუნებით ერთნაირია და დაახლ. ერთნაირი სიდიდე აქვთ. ს-ში ძლიერი მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების არსებობა განაპირობებს ნებისმიერ სხვა გარემოსთან ს-ის საზღვარზე, კერძოდ, ზედაპირული დაჭიმულობის (იხ. *ზედაპირული მოვლენები*) არსებობას. ს-ის თავისუფალი ზედაპირის წონასწორობასა და მოძრაობაზე, აგრეთვე ს-ისა და მყარი სხეულის ან

არადამასველებელ ს-თა გამყოფ ზედაპირებზე ზედაპირული დაჭიმულობის გავლენით გამოწვეული მოვლენები მიეკუთვნება *კაპილარული მოვლენების* არეს.

ს-ის მოლეკულები, მყარი სხეულის ნაწილაკების მსგავსად, ირხევიან წონასწორობის მდებარეობის მახლობლად, მაგრამ მყარი სხეულისაგან განსხვავებით, ს-ში ეს მდებარეობები იცვლება. გარკვეული τ დროის შუალედის შემდეგ მოლეკულა ახ. წონასწორობის მდებარეობაში გადახტება, ე. ი. ნაწილობრივ შეიცვლის თავის გარემოცვას და გადაადგილდება მანძილზე, რ-იც მოლეკულებს შორის საშ. მანძილის ტოლია. ასეთი დიდი რაოდენობის გადასვლების შედეგად ს-ის მოლეკულები მეტ-ნაკლებად სწრაფად აირევა. ს-ის მეზობელი ნაწილაკების განლაგებაში ირღვევა წესრიგი ხან ერთ, ხან მეორე ადგილას. ამგვარი ადგილობრივი დარღვევა იწვევს წესრიგის სრულ გაქრობას მანძილის უმნიშვნელოდ გაზრდისას, τ საშ. მნიშვნელობას „ბინადრობის ცხოვრების" დროს უწოდებენ. ეს სიდიდე დამოკიდებულია ს-ის ბუნებაზე და ტემპ-რის მიხედვით სწრაფად მცირდება. თუ გარე ძალა ინარჩუნებს თავის მიმართულებას ნახტომებს შორის დროის ინტერვალზე უფრო დიდხანს, მაშინ მოლეკულები საშუალოდ გადაადგილდებიან ამ ძალის მიმართულებით. მაშასადამე, ს-ის მოლეკულების გადასვლები განაპირობებს მის დენადობას.

ნორმალურ ს-თა ერთგვაროვნობასა და იზოტროპიულობას მათი მოლეკულური თეორია ხსნის შორი წესრიგის არ არსებობით მოლეკულების ურთიერთმდებარეობასა და ორიენტაციაში (იხ. *შორი წესრიგი და ახლო წესრიგი*).

ს-ის მრავალ მაკროსკოპულ თვისებას შეისწავლის მექან., ფიზ. და ფიზიკური ქიმ. სხვადასხვა დარგი. მნიშვნელოვანი ამოცანაა ენერგიისა და წნევისათვის, როგორც სიმკვრივისა და ტემპ-რის ფუნქციებისათვის, ხოლო ხსნარების შემთხვევაში აგრეთვე კომპონენტების კონცენტრაციის ფუნქციებისათვის *მდგომარეობის განტოლების* დადგენა.

იმ სითხეების მექან. მოძრაობას, რ-ებიც განიხილებიან როგორც უწყვეტი გარემო, შეისწავლის *ჰიდროდინამიკა*. დიდი მნიშვნელობა აქვს *ნავიე—სტოქსის განტოლებას*, რ-იც ე. წ. ნიუტონიანი ბლანტი ს-ის მოძრაობას შეისწავლის. ასეთი ს-თვის სიბლანტე არ არის დამოკიდებული დინების რეჟიმზე (ლამინარული დინების დროს), როცა რეინოლდსის რიცხვი $Re<R_k$. ამ შემთხვევაში სიბლანტე ფიზ.-ქიმ. მუდმივაა. არანიუტონიანი ს-თვის რეინოლდსის მცირე რიცხვების შემთხვევაშიც სიბლანტე დამოკიდებულია დინების რეჟიმზე. ასეთი ს-ის თვისებებს შეისწავლის *რეოლოგია*.

თხევადი ლითონების დინების სპეციფ. თავისებურებებს, რაც დაკავშირებულია მათ ელექტროგამტარობასთან, და მათზე მაგნ. ველების გავლენას შეისწავლის *მაგნიტური ჰიდროდინამიკა*.

ლიტ.: მირიანაშვილი მ., ზოგადი ფიზიკის კურსი, ნაწ. 2, თბ., 1966; Фишер И. З., Статистическая теория жидкостей, М., 1961; Френкель Я. И., Кинетическая теория жидкостей, Л., 1975.

სიკატივები (გვიანდ. ლათ. siccativus—გამშრობი), *მცენარეული ზეთების* ჟანგვითი პოლიმერიზაციის („შრობის") კატალიზატორები; ზეთშემცველი ლაქსაღებავი მასალების კომპონენტები, რ-ებიც აჩქარებენ სხეულთა ზედაპირზე აფსკის წარმოქმნას ოთახისა და მაღალი ტემპ-რისას. ქიმ. შედგენილობით ს. წარმოადგენს ცხიმოვან მჟავათა (ძირითადად სპილენძის, მანგანუმის, კობალტის) მარილებს. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ კომბინირებულ ს-ს.

სიკვშკაშე, 1. შუქტექნიკაში, L სიდიდე, რ-იც ახასიათებს სინათლის წყაროს ნათებას მოცემული მიმართულებით. მნათი ზედაპირის dS ელემენტის ს. რომელიმე მიმართულებით განისაზღვრება განსახილველი მიმართულებით ამ ელემენტის dI *სინათლის ძალის* ფარდობით ამავე მიმართულებისადმი პერპენდიკულარულ სიბრტყეზე ელემენტის პროექციის ფართობთან: $L=dI/(dS\cdot\cos\alpha)$, სადაც α არის კუთხე dS ელემენტის ნორმალსა და იმ მიმართულებას შორის, რ-ისთვისაც ანგარიშობენ ს-ს. SI სისტემაში ს-ის ერთეულია *კდ/მ²* (იხ. *კანდელა*).

2. ენერგეტიკული ს. (რეკომენდებულია ახ. ტერმინი სხივიერობა), *გამოსხივების ნაკადი* ერთეულ სივრცითს კუთხეში განსახილველი მიმართულებით, შეფარდებული ამ მიმართულებისადმი პერპენდიკულარულ სიბრტყეზე მნათი ზედაპირის პროექციის ფართობთან: $L_{ენ}=d\Phi_{ენ}/(d\Omega dS\cos\alpha)$, სადაც $d\Phi_{ენ}$ არის მნათი ზედაპირის dS ფართობის მქონე ელემენტის გამოსხივების ნაკადი $d\Omega$ სივრცითს კუთხეში იმ მიმართულებით, რ-იც α კუთხეს ადგენს dS ფართობის ნორმალთან. *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) ენერგეტ. ს-ს გამოსახავენ *ვტ/(სტერ·მ²)*. ენერგეტ. ს-ის *სპექტრულ სიმკვრივეს* უწოდებენ $dL_{ენ}$ ენერგეტ. ს-ის [რ-იც შეესაბამება ოპტ. გამოსხივების სიხშირის ვიწრო უბანს λ-დან $(\lambda+\Delta\lambda)$-მდე] ფარდობას ამ უბნის სიგანესთან $L_{ენ\cdot\nu}=dL_{ენ}/d\nu$ ან $L_{ენ\cdot\lambda}=dL_{ენ}/d\lambda$. ერთეულთა საერთაშ. სისტემაში $L_{ენ\cdot\nu}$ გამოისახება *ვტ/(სტერ·მ²·ჰც)*.

სიკეთე და ბოროტება, ეთიკის ძირითადი კატეგორიები, ზნეობრივი ცნობიერების არსებითი შინაარსის გამომხატველი ცნებები. ს. და ბ. ადამიანის ქცევა-მოქმედების აქსიოლოგიური შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია. მათთვის დამახასიათებელია კონკრეტულობა, შეფარდებითობა და ისტორიულობა.

ეთიკური აზროვნების ისტორიაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა მატერიალ. და იდეალ. თვალსაზრისი ს. და ბ-ის ცნებათა შესახებ. მაგ., ჰედონისტური და ევდემონისტური კონცეფციების დამცველნი სიკეთედ მიიჩნევდნენ იმას, რაც უკავშირდებოდა სიამოვნებასა და ბედნიერებას, რიგორისტული და თეოლ. კონცეფციების მიხედვით კი იდეალურია სამყაროსა და ღვთაებისადმი სწრაფვის ინტერესები. მარქსისტული ეთიკის თვალსაზრისით ს. და ბ-ის ობიექტური კრიტერიუმია პიროვნებისა და საზ-ბის ინტერესების შესატყვისობა-შეუსატყვისობა. ქცევა მაშინ ჩაითვლება სიკეთედ, როცა მისი შედეგი სასარგებლოა ვინმესთვის და არავისთვის საზიანო არ არის, კონფლიქტურ სიტუაციებში კი მაშინ, — როცა იგი ემსახურება სამართლიანობის აღდგენისა და დაცვის ინტერესებს (ობიექტური სიკეთე).

ს. და ბ-ის სუბიექტური გამოხატულებაა ადამიანის კეთილი ან ბოროტი ნება. კეთილ ნებად მიიჩნევა სიმპათიით, თანაგრძნობითა და სიყვარულით მოტივირებული ნება. პიროვნება მაშინ არის კეთილი, როცა იგი ეხმარება სხვა ადამიანს ან ემსახურება საზ-ბას (ე. ი. ობიექტურ სიკეთეს სჩადის) შეგნებულად, საკუთარი ნებით და უანგაროდ.

მარქსისტულმა მსოფლმხედველობამ ს. და ბ-ის ცნებათა გაგებაში შეიტანა სოც.-კლასობრივი კრიტერიუმი: სიკეთე ისაა, რაც ემსახურება მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და კეთილდღეობის საქმეს, სამართლიანობისა და პროგრესის ინტერესებს. *გ. ბანძელაძე.*

სიკეირა (Sequeira) დომინგუშ ანტონიუ (10. III. 1768, ბელენი, ლისაბონის მახლობლად, — 7. III. 1837, რომი), პორტუგალიელი ფერმწერი და გრაფიკოსი. მთლვაწეობდა ლისაბონსა და პორტუში. 1802-იდან კარის მხატვარი. 1820-იდან როგორც რევ. მონაწილე ემიგრაციაში წავიდა პარიზში, 1826-იდან გადავიდა რომში. ს. პორტუგ. რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის ისტ. და რელიგ. თემებზე შექმნილ კომპოზიციებს ახასიათებთ წერის თავისუფალი, დინამ. მანერა, განათების ეფექტები („1822 წლის კონსტიტუციის გამოცხადება", 1825, თანამედროვე ხელოვნ. ეროვნ. მუზეუმი, ლისაბონი).



დ. სიკეიროსი.

სიკეიროსი, ალფარო სიკეიროსი (Alfaro Siqueiros) ხოსე დავიდ (29. XII. 1898, ჩიუაუა, — 6. 1. 1974, კუერნავაკა), მექსიკელი ფერმწერი და გრაფიკოსი, მექსიკური მონუმ. ფერწერის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი; საზ. მოღვაწე. სწავლობდა მეხიკოს სამხატვრო აკადემიაში (1911), სანტა-ანიტას სკოლაში (1913). 1911-იდან მონაწილეობდა რევ. მოძრაობაში. 1919—22 მუშაობდა საფრანგეთსა და ესპანეთში. 1921 ბარსელონაში გამოსცა „რევოლუციური ხელოვნების მანიფესტი". „ხელოვნებისა და ტექნიკის მუშაკთა რევოლუციური სინდიკატის" დამაარსებელი (1922) და გენ. მდივანი (1923—25). 1924-იდან მექს. კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გაზ. „ელ მუნდოს" მთავარი რედაქტორი. მუშაობდა აშშ-ში (1932—34 და 1935—36), დააარსა ექსპერ. სახელოსნო (1936). ლათ. ამერიკის ქვეყნების მონუმ. ხელოვნ. განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ს-ის მოღვაწეობამ არგენტინაში (1933), ჩილეში (1941—42), კ. კუბაზე (1943). ს. ქმნიდა ძირითადად მონუმ. პანოებს, აერთიანებდა ფერწერულ კომპოზიციებსა და სკულპტურულ ფორმებს, მუშაობდა ახ. მასალებით (სინთეტიკური საღებავები, კერამ. რელიეფური მოზაიკა). მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: მოხატულობანი ეროვნ. მოსამზადებელ სკოლაში (ფრესკა, 1922—23), ელექტრიკოსთა პროფკავშირების კლუბში (1939), ნატიფ ხელოვნებათა სასახლეში (1945 და 1950—51), ისტ. ეროვნულ მუზეუმში (დაიწყო 1959); მოზაიკა და რელიეფი საუნივერსიტეტო ქალაქის რექტორატის ფასადზე (1952—54), ხუროთმოძღვრების, ფერწერისა და სკულპტურის შემცველი მონუმ.-დეკორ. ნაგებობა „პოლიფორუმი" (1971) —ყველა მეხიკოში. დაზგური სურათები: „პროლეტარის დედა" (1929—30), ჯ. გერშვინის პორტრეტი (1936, ორივე თანამედროვე ხელოვნ. მუზეუმი, ნიუ-იორკი). ეკუთვნის მრავალი ლითოგრაფია, ნახატი. სსრკ სამხატვ. აკად. საპატიო წევრი (1967). „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1966).

ლიტ.: Воронина Т. С., Давид Альфаро Сикейрос, М., 1976; Давид Сикейрос, [Л., 1969]; Жадова Л., Монументальная живопись Мексики, М., 1965.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

სიკერტი (Sickert) უოლტერ რიჩარდ (31. V. 1860, მიუნხენი,—22. 1. 1942, ბათი, სომერსეტშირი), ინგლისელი მხატვარი. ნაწილობრივ ფრანგი. ცხოვრობდა ლონდონში, პარიზში, დიეპში. 1885-იდან ეწეოდა ფერწერას. 1890-იან წლებში ს. ეკუთვნოდა ჯეიმს უისლერის წრეს. 1905-იდან ხელმძღვანელობდა ლონდონის ახალ ხელოვნებათა სკოლას. 1911-იდან ეწეოდა გრავიურას. ს. ნამუშევრებში ვლინდება ფრანგ. იმპრესიონისტების გავლენა. ს. ნახატებში ხშირად ასახულია ინტერიერი, ნატურმორტი, ქალაქური პეიზაჟი. ფერწერაში ს. ცდილობდა ნათელი, ფერადოვანი ტონალობის შექმნას, ხაზგასმით ხატავდა ფორმებს. ს. ნამუშევრებს ახასიათებს ნახატის ფრაგმენტულობა, ფერადოვანი ლაქების ხშირი ცვლა, ფერწერული ტექნიკის ექსპერიმენტირება. ს. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „ძველი ბედფორდი" (დაახლ. 1890, გერმანიის კუთვნილება, დრეზდენის გალერეა), „ბრაიტონის პიერი" (1915, ტეიტის გალერეა, ლონდონი), „ოთახი დიეპში" (1902, ბრიტანეთი

ლი ფერმწერი და გრაფიკოსი. ინგლისური *იმპრესიონიზმის* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. 1868-იდან ცხოვრობდა ინგლისში, სწავლობდა სლეიდის სამხატვრო კოლეჯში (1881-იდან) ა. ლეგროსთან. განიცადა ჯ. უისლერისა და ე. დეგას გავლენა. ს-მა დააარსა „ახალი ინგლისური სამხატვრო კლუბი" (1885—86). ბრიტ. მხატვართა სამეფო საზ-ბის პრეზიდენტი (1928-იდან). ხატავდა პეიზაჟებს, ასახავდა თანამედროვეთა ცხოვრებას („მოწყენილობა", 1913—14, ტეიტის გალერეა, ლონდონი).

სიკვდილი, ორგანიზმის ცხოველმოქმედების შეწყვეტა, რაც განაპირობებს ინდივიდის, როგორც გამოცალკევებული ცოცხალი სისტემის, დაღუპვას. ს-ს თან სდევს სიცოცხლის მთავარი მატერ. სუბსტრატის — *ცილებისა* და სხვა *ბიოპოლიმერების* დაშლა. ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ცნებას — ნაწილობრივი ს., რაც ნიშნავს უჯრედთა ჯგუფის, ორგანოსა და მისი ნაწილის ს-ს (იხ. *ნეკროზი*). უმარტივესთა ბუნებრივი ს-ია მათი გაყოფა, ვინაიდან ამ დროს მთავრდება ერთის არსებობა და იწყება ორი ახ. ინდივიდის სიცოცხლე.

გამომწვევი მიზეზების მიხედვით განარჩევენ ბუნებრივ ანუ ფიზიოლოგიურ ს-ს, რ-იც მოჰყვება ორგანიზმის ძირითადი სასიცოცხლო პროცესების ხანგრძლივ და თანამიმდევრულ ჩაქრობას, და ნაადრევ ანუ პათოლოგიურ ს-ს, რ-საც იწვევს ორგანიზმის ავადმყოფური მდგომარეობა, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოების (ტვინი, გული, ფილტვები, ღვიძლი, თირკმლები და სხვ.) დაზიანება. ნაადრევი ს. შეიძლება იყოს უეცარი, ე. ი. მოხდეს რამდენიმე წუთსა და წამში (მაგ., *გულის კუნთის ინფარქტის* დროს). ნაძალადევი ს. უბედური შემთხვევის, მკვლელობის ან თვითმკვლელობის შედეგია.

ადამიანისა და თბილსისხლიანი ცხოველების ს., უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტასთან. ამიტომ განასხვავებენ ს-ის 2 ძირითად ეტაპს: ე. წ. კლინიკურ ს-ს, რ-ის დროსაც განსაზღვრული დროის მანძილზე ჯერ კიდევ შესაძლებელია სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენა, და მის მომდევნო ბიოლ. ანუ ჭეშმარიტ ს-ს, როდესაც ორგანიზმში ვითარდება შეუქცევი ცვლილებები და წყდება უჯრედებსა და ქსოვილებში მიმდინარე ყველა ფიზიოლ. პროცესი. ს-თან დაკავშირებულ პროცესებს შეისწავლის თანატოლოგია.

სიკვდილიანობა, მოსახლეობის შემცირების პროცესი *სიკვდილის* შედეგად. სამედ. სტატისტიკაში ს. არის მოსახლ. გარკვეული ერთობლიობის (ქვეყანა, ქალაქი, რ-ნი) სიკვდილის სიხშირის შემთხვევები, რ-ებიც, როგორც წესი, განისაზღვრება გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივ, 1 წლის მანძილზე) გარდაცვლილთა რაოდენობით ყოველ 1 ათ. მცხოვრებზე. განარჩევენ საერთო და ბავშვთა ს-ს; განასხვავებენ აგრეთვე ს-ის და *ლეტალობის* ცნებებს. ს-ის დონე განსხვავებულია სხვადასხვა ასაკისათვის. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოდის 1 წლამდე ბავშვებსა და 70 წელს გადაცილებულ პირებზე, მინიმ. — 11—13 წლის ბავშვებზე. შობადობასთან, ბავშვთა ს-სა და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან ერთად ს. მოსახლ. ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელია" (იხ. სტ. *დემოგრაფია*). ს-ის მიხედვით ხასიათდება აგრეთვე მოსახლ. ჯანმრთელობის მდგომარეობა. ს-ის დონე დამოკიდებულია ცხოვრების სოც.-ეკონ. პირობებზე, მეცნ. და ჯანდაცვის განვითარებაზე. XX ს. დასაწყისში მთელ მსოფლიოში ს-ის მიზეზი იყო ინფექციური დაავადებები. ამავე საუკუნის შუა წლებიდან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (მ. შ. სსრკ-ში) ს-ის მიზეზი გახდა არაინფექციური დაავადებები, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კვლავ ჭრიბოდა ინფექციური და პარაზიტული სნეულებები. 1913 რუსეთში ს-ის მაჩვენებელი 2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე აშშ-სა და ევრ. მრავალ ქვეყანაში. 1926 — 60 სსრკ-ში ს-მ 20,3%-იდან 7,1%-მდე (ე. ი. თითქმის 3-ჯერ) დაიკლო, 1960-იან წლებში ს. ერთ დონეზე შეჩერდა, ხოლო 1965-იდან შეინიშნება მისი მომატების ტენდენცია (1965 — 7,3; 1968 — 7,7; 1971—8,2; 1973—8,7%), რაც დაკავშირებულია მოსახლ. შემადგენლობაში ხანში შესულთა წილის მომატებასთან.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საერთო ს-ის დაახლ. ნახევარი მოდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე, 1/5 ნაწილი — ავთვისებიან სიმსივნეებზე; მნიშვნელოვანია ს-ის მაჩვენებელი ტრავმისა და უბედური შემთხვევის გამო. სსრკში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან ს-ის მაჩვენებელი შეადგენდა: 1960—247,3; 1965 — 313,2; 1972—40,4%. ს-ის მაჩვენებლების ზრდა განპირობებული იყო როგორც ს-ის ჭეშმარიტი მომატებით მოსახლ. ზოგიერთ ასაკობრივ ჯგუფში (უმეტესად სშ. ასაკის), ისე მოსახლ. სიცოცხლის სშ. ხანგრძლივობის ზრდით (ე. ი. დაბერებით). ავთვისებიანი წარმონაქმნებით გამოწვეული ს-ის ასაკობრივ მაჩვენებლებს არა აქვთ ტენდენცია ზრდისაკენ, თუმცა მოსახლ. დაბერების გამო აღინიშნება ამ დაავადებებით გამოწვეული საერთო ს-ის მაჩვენებლების მეტ-ნაკლებად ზრდა: 1960—115,5; 1965 — 123; 1971 — 72 — 129,6 (1 ათ. მცხოვრებზე). 1971—72 სსრკ-ში საერთო ს-ის მაჩვენებლები ქალაქის მოსახლეობისათვის შეადგენდა — 7,6%, სოფლის მოსახლეობისათვის — 9,4%.

სიკვდილით დასჯა, სასჯელის უმაღლესი ზომა — ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გათვალისწინებულია კანონით ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. 1958 სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართ. კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით, ს. დ. პირდაპირ მიჩნეულია სასჯელის დროებით და განსაკუთრებულ ღონისძიებად და არ არის ჩართული სასჯელთა საერთო ნუსხაში. სიკვდილის გამოყენება სასჯელად შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი გათვალისწინებულია საერთო-საკავშ. სისხლის სამართ. კანონით ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის. საბჭ. კანონმდებლობა ს. დ-ს აწესებს *სამშობლოს ღალატისათვის, ჯაშუშობისათვის, ტერორისტული აქტისათვის, დივერსიისათვის, ბანდიტიზმისათვის* და ზოგი სხვა სახელმწ. დანაშაულის ჩადენისათვის. ს. დ. შეიძლება სახელმწ. ან საზ. ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (მ. 96[1]), დამამძიმებელ გარემოებაში განზრახი მკვლელობისათვის (მ. 104), დამამძიმებელ გარემოებაში გაუპატიურებისათვის (მ. 117, ნაწ. 4) და სხვა მძიმე დანაშაულისათვის; ს. დ. დაწესებულია აგრეთვე ომიანობის დროს მძიმე სამხ. დანაშაულის ჩადენისათვის; სიკვდილი არ შეიძლება მიესაჯოს იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი და ქალს, რ-იც დანაშაულის ჩადენის ან განაჩენის გამოტანის დროს, აგრეთვე განაჩენის აღსრულების დროისათვის ორსულადაა.

სიკვდილი, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, დაწესებულია სხვა სოციალ. ქვეყნების (გდრ., პოლ. სრ და სხვ.) კანონმდებლობითაც. ს. დ. გავრცელებულია კაპიტალ. ქვეყნების სისხლის სამართ. კანონმდებლობაში, თუმცა ზოგიერთმა კაპიტალ. ქვეყანამ (მაგ., გფრ, სკანდინავიის ქვეყნები, ჰოლანდია, შვეიცარია) იგი გააუქმა.

ძვ. საქართველოში ს. დ-ს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს მიმართავდნენ, უფრო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის, აგრეთვე მეფის პირადი საჯარო შეურაცხყოფისათვის, მეკობრეობისათვის. გიორგი III-ის 1170 სიგელის მიხედვით, ს. დ. „მრავალჯერ" პარვისთვისაც ყოფილა დაწესებული. ს. დ. სხვადასხვა ფორმით სრულდებოდა: ჩამოხრჩობა, *მოშთობა*, კლდიდან გადმოგდება, ცეცხლზე დაწვა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929; Анашкин Г. З., Смертная казнь в капиталистических государствах, М., 1971. *ო. გამყრელიძე.*


სიკვდილის ველი (Death Valley), მთათაშორისი ქვაბული აშშ-ში, დიდი აუზის სამხრ-ით, მოხვეულ უდაბნოში. სიგრძე დაახლ. 250 *კმ*. ერთ-ერთი ყველაზე ღრმა (ზ. დ. —85 *მ*) და უწყლო ქვაბული დედამიწაზე. ჰაერის მაქს. ტემპ-რა 56,7°C (დას. ნახევარსფეროში უმაღლესი). სახელწ. დაკავშირებულია 1849 ოქროს მაძიებელთა პარტიის უწყლობით დაღუპვასთან.

სიკილა, სიკლი, აქემენიდური ირანის ვერცხლის მონეტა. მისი ემისია დაიწყო ძვ. წ. VI ს. II ნახევრიდან. ძვ. წ. IV ს. 30-იან წლებამდე სამონეტო მიმოქცევაში აქტ. როლს ასრულებდა. მასა 5,6 გ. ს-ის შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული, ცალ ფეხზე დაჩოქილი ფვეროსანი მეფე, რ-საც გრძელი სამოსი აცვია და ხელში შუბი უჭირავს. ესაა ირან. მეფის ზოგადი პორტრეტი. ზურგზე გამოხატულია ჩაჭდეული სწორკუთხედი. საქართველოში აღმოჩენილია სურამის ტერიტორიაზე. *გ. დუნდუა.*

სიკიმი, შტატი ინდოეთში, აღმ. პიმალაიში, ესაზღვრება ნეპალს, ბჰუტანს, ჩინეთს. ფართ. 7,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 315 ათ. კაცი (1981). ადმ. ც. — ქ. განგტოკი. მოსახლ. 2/3-ს შეადგენენ ნეპალიდან გადმოსახლებულები (ნეპალელები, ტამანგები, შერპები, ნევარები და სხვ.). განგტოკის დას-ით ცხოვრობენ ლეფჩა, ჩრდ და ცენტრ. რ-ნებში — *ბჰოტია*, ქ-ებში — ინდოეთიდან გადმოსახლებულები (ბენგალელები და სხვ.). ოფიც. ენა — ტიბეტური ენის სიკიმის დიალექტი, ნეპალური და ინგლისური. ლეფჩა და ბჰოტია აღიარებენ ბუდიზმს (ლამაიზმს), დანარჩენები ძირითადად ინდუისტები არიან.

XVI ს. დასასრულიდან ს-ის ტერიტორიაზე ტიბეტელებმა დაიწყეს შემოჭრა. XVIII ს. დასასრულამდე ს. დამოკიდებული იყო ტიბეტზე. ინგლ. კოლონ. ექსპანსიის შედეგად ს-ის სამთავრო დიდ ბრიტანეთს დაემორჩილა (1861 ხელშეკრულებით). 1890 განისაზღვრა ს-ის სამთავროს საზღვრები. ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1947) შემდეგ ს-ის ჩოგიალის (მთავრის) ავტოკრატიულმა გამგებლობამ გამოიწვია ძლიერი სახ. მღელვარება (1947—49); ჩოგიალამ დახმარებისათვის ინდოეთს მიმართა. 1949 ს-ზე ინდ. პროტექტორატი დამყარდა. 1950 ხელშეკრულებით ინდ. მთავრობამ ს-ის დაცვის და ტერიტ. მთლიანობის პასუხისმგებლობა იკისრა. 1974 აპრ. ს-ში ჩატარდა საკანონმდებლო კრების პირველი საყოველთაო არჩევნები. 1974 წ. 3 ივლ. კონსტიტუციამ რამდენადმე შეზღუდა ჩოგიალის ხელისუფლება. 1974 სექტ. ს-მა მიიღო ინდ. ასოცირებული შტატის სტატუტი. 1975 აპრ. რეფერენდუმზე ს-ის მოსახლ. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ს-ის ინდ. შტატად გამოცხადებას. 1975 მაისიდან ს. ინდ. 22-ე შტატია.


ს. აგრ. შტატია. მუშავდება მიწის მცირე ნაკვეთები მთათაშუა ხეობებსა და მდინარეთა ჭალებში. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, ბატატი, სოია, სანელებლები. ს. ილის მთავარი მიმწოდებელია მსოფლიო ბაზარზე. აშენებენ მსხვ.



სტ. ე. *სიდამოწ-ერისთავი*. „ალავერდობა“. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



„პატრიარქის პორტრეტი“. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



სტ. ჯ. *სინიაკი.* „ნავსადგური მარსელში". 1907. ერმიტაჟი. ლენინგრადი.



სტ. ა. *სისლეი.* „სოფელი სენაზე. (ვილანევ-ლა-გარენი)". 1872. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

რქ. საქონელს, ცხვარს. ამზადებენ ხეტყეს. გგანვითარებულია შინამრეწველობა (საოჯახო ნივთების დამზადება, ხეზე კვეთა, ვეიერცხლის დამუშავება, ხალიჩების ქსოვა). ამუშავებენ პოლიმეტალურ მადანსა და ძვირფას ქვებს. ტრანსპ. უმთავრესად სასაპალნენა; საავტ. გზების სიგრძეა 1,5 ათ. *კმ*. ახლომდებარე რკინიგზის სადგურია სიილიგური, აეროდრომი — ბაგდოგრა. განვითარებულია ტურიზმი.

სიკოზისი (ბერძნ. sykōsis—დაწყლულება), თმის ფოლიკულების ქრონიკული, რეციდივებით მიმდინარე ანთება, რ-იც ვითარდება თმის ფოლიკულებში *სტაფილოკოკების* შეჭედწევის შედეგად. უმეტესად ავადდებიან (მამაკაცები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ნერვული და ენდოკრინული სისტემების ფუნქციური მოშლილობა ან ქრონ. ინფექციების (*რინიტი, კონიუნქტივიტი*) კერები აქვს. ს-ის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია მიკროტრავმა (განაკაწრი, განაჭერი). წვერ-ულვაშის, უფრო იშვიათად ქუთუთოების, წარბების, თავის თმიანი ნაწილის მიდამოში, იღლიის ფოსოებში ჩნდება პატარა-პატარა ჩირქგროვები, რ-თა შუაში გადის თმა. ზოგან ჩირქგროვები გროვებად ერთიანდება და მკვეთრად შემოსაზღვრული ნაპირები აქვს. ჩაირქგროვების გახმობის პროცესში წარმოიქმნება მომწვანო-მოცისფრო, თმასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქერქები, რ-თა მოშორების შემდეგ მოჩანს სველი, სისხლნარევი ზედაპირი. ს-თვის დამახასიათებელია კანის დაჭიმვის შეგრძნება, წვა და ქავილი.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ანტიბიოტიკები, სისხლისს გადასხმა, ზოგადგამაჯანსაღებელი სსაშუალებანი, სპეციფ. იმუნოპრეპარატები (სტაფილოკოკური ანტიფაგინი, ავტო- და პოლივაქცინა); ადგილობრივად — ფიზიოთერაპიული სველსაფენები, სინტომძიციინის ემულსია; დაზიანებული თმის მმოცილება. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა. მძიკროტრავმის დროული დამუშავება, რრინიტის, კონიუნქტივიტის მკურნალობა. პპარაზიტული ს-ის შესახებ იხ. სტატიაში *ტრიქოფიტია*. *დ. საყვარელიძე.*

სიკოკუ, კუნძული იაპონიის არქიპელაგის სამხრ. ნაწილში. ფართ. 17760 *კმ*². გარს აკრავს წყნარი ოკ., იაპონიის შიგა ზღვა, სრუტეები კიი, ნარუტო, ჰაიასუი დაა ბუნგო. სანაპირო ხაზის სიგრძეა დაახლ. 1800 *კმ*, ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-დას. ნაპირები ძლიერ არის შეჭრილ-შემოჭრილი, დანარჩენი — ნაკლებად. რელიეფი უმთავრესად მთაგორიანია. ჩრდილოეთ გრაანიტებით აგებული ბორცვები და დაბალმთიანეთია, სამხრ. და ცენტრ. ნაწილში — ფიქლებით აგებული მთები, სიმაღლეე 1981 *მ*-მდე (მთა ისიძუტი). წიაღისეეულიდან არის სპილენძის მადანი. ჰავა სუუბტროპ., მუსონურია. იანვ. საშ. ტემპ-რაა 5—10°C, მთათაშორის ქვაბულში —2°C-მდე; ივლ. 20—28°C. ნალექები 10000—3000 *მმ* წელიწადში. ხშირია ტაიფუნი. კალთები შემოსილია ტყით. მოჰყავთ ციტრუსები. თევზჭერა, მარგალიტის მოპოვება. დიდი ქ-ებია: მაცუიამა, იმპაბარი, ნიიჰამა, ტაკამაცუ, ტოკუსიმა, კიოტი.

სიკომორო (Ficus sycomorus) ლ ე ღ ე ვ ს უ ლ ე ლ ი, ხე ფიკუსის გვარისა. მისი სიმაღლეე 40 *მ* აღწევს. იზრდება აღმ. აფრიკაში. მაგარი მერქანი აქვს. ნაყოფი იჭმება. ფფართოდაა კულტივირებული.

სიკორსკი (Sikorski) ვლადისლავ (20. V. 1881, , ტუშუე-ნაროდოვი, ქ. სანდომიეჟის მახლობლად, — 4. VII. 1943), პოლონეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, ი. *პილსუდსკის* მოწინააღმდეგე. 1921—22 გენშტაბის უფროსი. 1922—23 პრემიერ-მინისტრი და სამხ. მინისტრი, 1924—225 სამხ. მინისტრი. პილსუდსკის სამხ. გგადატრიალების შემდეგ გადააყენეს (19928). 1939—43 პოლ. ემიგრანტული მთავრობის პრემიერ-მინისტრი, სამხ. მინისტრი და უმაღლესი მთავარსარდალი. 1941 წ. 30 ივლ. ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სსრკ-თან დიპლ. ურთიერთობის აღდგენის შესახებ. დაიღუპა საავიაციო კატასტროფაში გიბრალტართან.

სიკორსკი იგორ ივანეს ძე (25. V. 1889, კიევი, — 26. X. 1972, ისტონი, კონექტიკუტის შტ.), ავიაკონსტრუქტორი, საავიაციო მშენებლობის ერთ-ერთი პიონერი. 1910 ააფრინა თავისი კონსტრუქციის თვითმფრინავი ს-2. 1912—14 შექმნა თვითმფრინავები „გრანდი", „რუსსკი ვიტიაზი", „ილია მურომეცი", რითაც საფუძველი ჩაუყარა მრავალძრავიან ავიაციას. 1919 წავიდა ემიგრაციაში (აშშ-ში). 1939-მდე შექმნა 15-მდე ტიპის თვითმფრინავი. 1939-იდან დაიწყო ერთხრახნიანი შვეულმფრენების კონსტრუირება, მ. შ. აღსანიშნავია S-51; S-55; S-56; S-61; S-64 და S-65. ს-მ პირველმა დაიწყო ტურბინული შვეულმფრენების, შვეულმფრენ-ამფიბიებისა და „მფრინავი ამწეების" მშენებლობა. ს-ის შვეულმფრენებით დაიწყო პირველი გადაფრენები ატლანტისა (S-61; 1967) და წყნარ (S-65; 1970) ოკეანეებზე (ჰაერში კმაგაწყობით).

ლიტ.: Redemann H., 50 Jahre Sikorsky, «Flug Revue», 1973, № 5.

სილა, ადრინდელი სახელმწიფო, ერთ-ერთი სამთაგან (ს., კოგურიო, პექჩე), აღმოცენდა პირველყოფილთემური წყობილების რღვევის შედეგად კორეის ნ.-კ-ზე (ეკავა მისი სამხრ.-აღმ. ნაწილი). თუმცა მატიანე ტრადიციულად ს-ს აღმოცენებას მიაკუთვნებს ძვ. წ. 57, ტომთა კონსოლიდაცია კორეის ნ.-კ-ის სამხრ.-აღმ-ში საროს (ანუ ს-ს) ტომის მეთაურობით მიმდინარეობდა ახ. წ. პირველ საუკუნეებში, ხოლო სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი VI ს-მდე გაგრძელდა, შეიქმნა სახელმწ. მმართველობის ორგანოები, სახელმწ. რელიგია გახდა *ბუდიზმი*. გაძლიერდა ბრძოლა სამ სახელმწიფოს შორის ნ.-კ-ზე ბატონობისათვის. ჩინ. ტანის დინასტიის დახმარებით ს-მ დაამარცხა პექჩე (660) და კოგურიო (668). VII ს-ში ს-მ თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა კორეის ნ.-კ-ის თითქმის მთელი ტერიტორია. IX ს-ში დაიშალა რამდენიმე საუფლისწულო მამულად.

სილაბური დამწერლობა (<ბერძნ. syllabē—მარცვალი), მარცვლოვანი დამწერლობა; ფონეტიკური დამწერლობის სახეობა, რ-შიც ნიშანი (სილაბემა) გადმოსცემს დამოუკიდებელი მარცვლის წარმომქმნელ ცალკე ხმოვანს ან თანხმოვან და ხმოვან ფონემათა თანამიმდევრულ ჯგუფადობას. არსებობს წმინდა სილაბური და სიტყვიერ-მარცვლოვანი ს. დ-ები. წმინდა სილაბურთაგან აღსანიშნავია კ. კვიპროსის დამწერლობა, აგრეთვე ეთიოპური და ინდ. დამწერლობანი (ქაროშთი, ბრაჰმი და მათგან მომდინარე სისტემები, მ. შ. ტიბეტის, ინდოჩინეთის, ინდონეზიისა). სიტყვიერ-მარცვლოვან დამწერლობას (სიტყვიერი წერილობითი სისტემისა და სილაბურის შერწყმა) განეკუთვნება იაპ., ძვ. კორ., გეიანდ. სოლისებრი (აქადური, ხეთური) და იეროგლიფური ლუვიური დამწერლობა. სიტყვიერ-მარცვლოვანი დამწერლობა შუმერული იდეოგრაფიულ-ფონეტ. დამწერლობისაგან მომდინარეობს. იხმარება III ათასწლეულის შუა ხანებიდან. იგი მრავალნიშნიანობით და დიდი სირთულეებით ხასიათდება, ამიტომ გაანბანების ტენდენციამ ადრევე იჩინა თავი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სპარს. სოლისებრი ანბანი.

ლიტ.: Дирингер Д., Алфавит, пер. с англ., М., 1963; Friedrich J., Geschichte der Schrift, Hdlb., 1966.

სილაბური ლექსთწყობა, კვალიტატიური ლექსთწყობის სახეობა, რ-ის რიტმი ძირითადად ტაეპების თანაბარმარცვლიანობას (იზოსილაბურობას) ემყარება: თითოეული მარცვალი თითქმის თანაბარი ძალით წარმოითქმის; სალექსო სტრიქონში დაცული არ არის მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი ჯერეულობა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთი ან ორი სავალდებულო (მუდმივი, კონსტანტური) მეტრული მახვილი, რ-ებიც ტაეპებს განსაზღვრულ ადგილზე ან ადგილებზე მოუდის; მრავალმარცვლიანი ტაეპები ცეზურით (ან ცეზურებით) თანაბრად ან უთანაბროდ ნაწილდება. ს. ლ. იმ ენებში მოქმედებს, სადაც სიტყვიერი მახვილი უბრავია, ე. ი. ლექსიკურ ერთეულს მახვილი ერთსა და იმავე ადგილას აქვს (მაგ., ფრანგულში— ბოლოდან პირველს). ლექსში კი ეს მახვილიც იკარგება.

ბიზანტ. პერიოდის ს. ლ., რ-იც ბერძნ. (კვანტიტატიური) წყობილსიტყვაობის არსებითი სახეცვლილების შედეგად წარმოიშვა, III—IV სს-ში პაროქსიტონაციას ავლენს: ტაეპი მთავრდება იმ სიტყვით, რ-საც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის. VII—X სს. ბიზანტ. პოეზიაში კი საბოლოოდ მკვიდრდება 2 მეტრული მახვილის შემცველი ს. ლ. მაგ., თხუთმეტმარცვლიანი საზომით დაწერილ ტაეპებს მეტრულად სავალდებულო მახვილები მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე (პაროქსიტონი) და ცეზურის წინ — ბოლოდან პირველ მარცვალზე (ოქსიტონი) ან ბოლოდან მესამე მარცვალზე (პროპაროქსიტონი). თორმეტმარცვლიანი საზომით გაწყობილ ბიზანტ.-ქართ. „იამბიკოში" ცეზურა ჩვეულებრივ მეხუთე ან მეშვიდე მარცვლის შემდეგ ივარაუდება და ტაეპი პაროქსიტონიანი სიტყვით ბოლოვდება.

წინასწარვეა განსაზღვრული მეტრულად სავალდებულო მახვილთა ადგილები ახ. ენათა ს. ლ-ში. მაგ., მოკლე სალექსო სპზომებით გამართულ ფრანგ. ტაეპებში მუდმივი მეტრული მახვილები ბოლო მარცვლებზეა. როცა მარცვალთა რაოდენობა რვას ასცდება, 2 სავალდებულო მახვილი იწყებს მოქმედებას. ამას გვიჩვენებს ცხრამარცვლედი: ∪∪–/∪∪∪ ∪∪–(ან: ∪∪∪∪∪–/∪∪–), ათმარცვლედი: ∪∪∪–/∪∪∪∪∪–(ან ∪∪∪ ∪∪–/∪∪∪–, ან კიდევ: ∪∪∪∪–/ ∪∪∪∪–), თერთმეტმარცვლედი: ∪∪ ∪∪–/∪∪∪∪∪–, თორმეტმარცვლედი, ე. წ., „ალექსანდრიული ლექსი": ∪∪∪∪–/∪∪∪∪–.

თურქულენოვანი ერების ს. ლ-ში ტაეპი ან ერთცეზურიანია (4/3, 4/4...), ან – ორიანი (4/4/3, 4/4/4...), ანდა — სამიანი (4/4/4/3, 4/4/4/4...). აქ მახვილის ფუნქციას ასრულებს თურაქი — მუდმივი სიტყვათგასაყარი, რიტმული შესვენება ან რიტმული პაუზა.

ლიტ. იხ. სტ-თან ლ ე ქ ს თ წ ყ ო ბ ა. *რ. ბერიძე.*

სილაბურ-ტონური ლექსთწყობა, (ბერძნ. syllabē — მარცვალი და tonos— მახვილი), კვალიტატიური ლექსთწყობის სახეობა, ტონური წყობილსიტყვაობის ერთ-ერთი ფორმა; სილაბურ ოდენობებთან ერთად ემყარება მეტრულ მახვილთა კანონზომიერ ანდა პოტენციურად კანონზომიერ ჯერეულობას. ს.-ტ. ლ. უპირატესად იმ ენებში მოქმედებს, სადაც სიტყვიერი მახვილის ადგილი ფიქსირებული არ არის (ინგლ., გერმ., ქართ. და სხვ.). მაგ., რუს. ორმარცვლიან სიტყვას შესაძლოა ქორეული მახვილიც მოუდიოდეს (ма́ма) და იამბურიც (отéц); სამმარცვლიანი სიტყვა ხან დაქტილურ მახვილს საჭიროებს (ро́дина), ხან ამფიბრაქულს (свобо́да), ხანაც ანაპესტურს (человéк). ასევე სხვადასხვა მარცვალზე მოუდის სიტყვიერი მახვილი სამზე მეტმარცვლიან სიტყვებს. ქართ. მახვილიც მოძრავია: ორ და სამმარცვლიან სიტყვებში პირველი მარცვალია მახვილიანი (დედა, სამშობლო), ოთხმარცვლიანებში მახვილს მოითხოვს მეორე მარცვალი (საქართველო) ანდა



ი. სილაგაძე.

პირველი მარცვალი (დაბადია). ე. ი. ქართ. მახვილი უეჭველად მოძრაობს სიტყვის სილაბური გაზრდის ან შეკვეცის შემთხვევაში (იხ. *ლექსთწყობა*).


სილაბური (სასაუბრო ენასთან დაახლოებული) ლექსისაგან განსხვავებით, ს.-ტ.ლ-ის ნიშანდობლივი თვისებაა ხელოვნური ფრაზირება: ცალკეული სიტყვები ან ინარჩუნებს ბუნებრივ მახვილებს, ანდა რიტმისმიერი იმპულსის ზეგავლენით აქცენტურ სახეცვლილებას განიცდის. მაგ., ინგლ. სიტყვა სკრტლანდ სასაუბრო შეტყველებაში პირველ მარცვალზე ავლენს ბუნებრივ მახვილს, მაგრამ რ. ბერნსის ერთ-ერთ ლექსში კადენციური ბიძგის შედეგად სიტყვიერი მახვილი მეორე მარცვალზე გადადის: ლანდ—სკოტლანდ. რუს. ქორეული სიტყვა слушай იამბური საზომით დაწერილ პუშკინის ლექსში ბუნებრივ მახვილს კარგავს და მეტრული მახვილით აღიჭურვება: слушáй (რ. იაკობსონი...), ასევე, ქორეული სიტყვა бродúт საზომის ზემოქმედებით ბოლო მარცვალზე იძენს მახვილს: бродúт (ბ. ტომაშევსკი). ქართ. ოთხმარცვლიანი სიტყვა ცრემლბისაცა, ჩვეულებრივ, მეორე მარცვალზე მოითხოვს მახვილს, მაგრამ ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ დაბალშაირულ სტროფში, ქორეულ-დაქტილური მოძრაობის გამო, აშკარა სახეცვლილებას განიცდის, ბუნებრივი მახვილი უქრება და, სამაგიეროდ, პირველი და მეოთხე მარცვლები — სუსტი ადგილები—უმაღლდება „არაბუნებრივი" (სინამდვილეში მეტრულად კანონზომიერი) მახვილებით: ცრემლისაცა, ხოლო ამ უკანასკნელის მომდევნო ორმარცვლიანი სიტყვა დენით მახვილისაგან თავისუფლდება, რადგან წინამავალი სიტყვის ბოლო მარცვალი, რ-საც სალექსო მახვილი გაუჩნდა, ექსპირაციის ძალას არ გადასცემს მასთან მიჯრილ მარცვალს, პირიქით, საკუთარ მახვილსაც კი აკარგვინებს: ცრემლისაცა დენით. მთელი ტაეპი კი ასე ჟღერს: ასრე სჭლთქმით და ვაებით მით ვართ ცრემლისაცა+დენით.


ს.-ტ. ლ-ის ერთ-ერთი ტიპოლოგიური ნიშანია კლაუზულის (ტაეპის მეტრული დაბოლოების) მხრივ რითმის ოთხნაირი სახეობის გამოყენება. ესენია: ვაჟური (—), ქალური (⏑—), დაქტილური (⏑—⏑) და ზედაქტილური (მაგ., ოთხმარცვლიანი: ⏑—⏑—⏑) რითმები.

ს.-ტ. ლ-ის მეტრული ანალიზის დროს გამოიყენება *სკანდირება* ხელოვნური კითხვა, რ-ის ფონზეც ხდება ტერფების — მეტრული სქემის (და არა თვით მეტრის) ელემენტების პირობითი დაშლა ტერფებად, ანუ აბსტრაქცია. სკანდირების მიზანია ტაეპში (სტროფში, მთელ ლექსში) მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი ანდა პოტენციურად კანონზომიერი ჯერედულობის გამოვლენა.

ს.-ტ. ლ-ში მეტრი ანუ აქცენტური რიგი იდეალური ნორმაა, რ-იც რეალურ ტაეპებში ხშირად რიტმული ვარიაციების სახით ვლინდება. ეს ნიშნავს: საზომის ძლიერ ადგილას ხდება მეტრული მახვილის გამოტოვება ან საზომის სუსტ ადგილას ჩნდება მეტრისგარეშე (ზესქემური) მახვილი.


ლიტ. იხ. სტ-თან ლ ე ქ ს თ წ ყ ო ბ ა. *რ. ბერიძე.*





სილასატყორცნი. სილასატყორცნი თავის სქემა: 1— კონვეიერი; 2—ნიჩაბი; 3— გარსაცმი.

სილიკატები ბუნებრივი



ნახ. 1. სილიციუმბანგბადიანი ტეტრაედრი.

სილაგაძე ისიდორე ანდრიას ძე (29. VI. 1898, სოფ. ნალეფსავო, ახლანდ. გეგეჭკორის რ-ნი, — 17. V. 1970, თბილისი), საბჭ. მხედართმთავარი, გენ.-მ. (1944). სკკპ წევრი 1921-იდან. 1918 პარტიზ. რაზმში იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. 1924 დაამთავრა წითელი არმიის ქართ. გაერთ. სამხ. სკოლა, მსახურობდა ქართულ ეროვნ. შენაერთებში. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დიდ სამამულო ომში (1941—45) 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური. 1949—59 დოსააფის საქართვ. რესპ. კომიტეტის თავ-რე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

სილამიაე, ქალაქი ესტ. სსრ-ში, ფინეთის ყურის (ბალტიის ზღვა) ნაპირზე, რკინიგზის სადგ. ვაივარიდან 3 *კმ* (ტალინ—ლენინგრ. ხაზზე). სამთო ტექნიკუმი.

სილანები (<ლათ. Silicium—სილიციუმი), იგივეა, რაც *სილიციუმწყალბადები.*

სილანპია (Sillanpää) ფრანს ემილ (ფსევდონიმები ე. სიუვიარი და სარვი) (16. IX. 1888, ჰიამენკიურე, — 3. VI. 1964, ჰელსინკი), ფინელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1939). ადრეულ რომანში „მართალი სიღატაკე" (1919) რეალისტურად ასახა ფინ. გლეხების ცხოვრება, მას უკავშირდება მოთხრობა „პილტუ და რაგნარი" (1923); აღსანიშნავია აგრეთვე ს-ს რომანები „ახალგაზრდობაში გარდაცვლილი" (1931), „ცხოვრება და მზე" (1916), „მამაკაცის გზა" (1932), „ხალხი ზაფხულის ღამეში" (1934) და სხვ.

სილანტიევი იური ვასილის ძე (10. IV. 1919, კრასნოდარი, —II. 1983, მოსკოვი), საბჭ. დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1975). 1940 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ა. იამპოლსკის სავიოლინო კლასი). 1940-იდან შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი და დირიჟორი. 1948-იდან მოსკ. სიმფ. ორკესტრების კონცერტმაისტერი და დირიჟორის ასისტენტი. 1958-იდან საკავშ. რადიოსა და ცენტრ. ტელევიზიის საესტრადო-სიმფ. ორკესტრის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ორკესტრთან ერთად გასტროლებს მართავდა სსრკ ქ-ებსა და საზღვარგარეთ.

სილასატყორცნი, მსხვილი *სამსხმელო ყალიბებისა* და *სამსხმელო კოპების* დასამზადებელი მოწყობილობა. ს. ორგვარია: მოძრავი და სტაციონარული. მისი ძირითადი კვანძია სატყორცნი თავი. საყალიბე ან საკოპე ნარევი პორციებით გამოიტყორცნება საყალიბეში ან საკოპე ყუთში. საყალიბეში მის ავსებასთან ერთად ნარევი მჭიდროვდება. სატყორცნი თავი მოძრაობს ჰორიზონტალურად, ნებისმიერი მიმართულებით (იმ ფართობის ფარგლებში, რ-ზეც მიმდინარეობს დაყალიბება).

სილასატყორცნი მანქანა, სამსხმელო წარმოებაში გამოყენებული კოპებისა და ყალიბების დასამზადებელი მანქანა. ს. მ-იდან ქვიშოვანი ნარევი გამოიქრევა იმ შეკუმშული ჰაერის მოქმედებით, რ-იც რეზერვუარში შედის კარბას ნახვრეტებიდან 0,6 *მეგპა* (6 *კგძ/სმ*^{2}) წნევის ზეგავლენით. ნარევი ტექნოლ. ტეხადობაში მოხვედრის შემდეგ მჭიდროვდება და წარმოქმნის კოპს ან ყალიბს. ს. მ. *სილასაქრევი მანქანისაგან* განსხვავდება რეზერვუარის კონსტრუქციით.

სილასაქრევი მანქანა, მანქანა რ-საც იყენებენ სამსხმელო წარმოებაში ყალიბებისა და კოპების დასამზადებლად. შეკუმშული ჰაერის მოქმედებით, რ-ის წნევაა დაახლ. 0,6 *მეგპა*/*სმ*^{2} (6 *კგძ/სმ*^{2}), საყალიბო ნარევი გამოიქრევა საქრევი რეზერვუარიდან, მოხვდება საყალიბეში ან საკოპე ყუთში, შემჭიდროვდება და წარმოქმნის ყალიბს ან კოპს; ჰაერი საველტილაციო ხვრელებიდან გამოდის. ს. მ-ის ბაზაზე შექმნილია ავტომ. საყალიბო ხაზები. იხ. აგრეთვე *სილასატყორცნი მანქანა.*

სილაური, სოფელი მახარაძის რ-ნში, მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭო. ზ. დ. 100 *მ*, მახარაძიდან 13 *კმ*. გენიჩესკის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სილაჩო თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა, ბგერითი მახასიათებელი, რ-იც უკავშირდება არა-მაგარსასისმიერი თანხმოვნების წარმოთქმისას ენის მაგარ სასასთან მიახლოებას ანუ პ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს.

ზოგ ენაში ს-თი განირჩევა ფონემები და მათი მეშვეობით — მნიშვნელობები (შდრ., მაგ., რუსული коль— სარი, коль — თუ), სხვებში კი — ფონემის მხოლოდ ვარიანტები, რ-ებიც ერთმანეთს კიდევაც რომ ჩავუნაცვლოთ, მნიშვნელობა არ შეიცვლება (მაგ., ქართულში რბილი და მაგარი ლ).

ზ. *ჯაფარიძე.*

სილეზია (პოლ. Śląsk, ჩეხ. Slezsko, გერმ. Schlesien), ისტორიული სლავური ოლქი მდ. ოდრის (ოდერი) ზემო და შუა წელზე. X ს-იდან პოლ. შემადგენლობაში იყო. XII—XIII სს-ში იყოფოდა მრავალ სამემკვიდრეო სამთავროდ, რ-ებიც XIV ს. I მესამედში ლუქემბურგების გამგებლობაში მოექცა. XV ს-ში ს-ის სამი სამთავრო პოლონეთს შეუერთდა, ხოლო დანარჩენები 1526 *ჰაბსბურგებს* დაემორჩილნენ. *„ავსტრიული მემკვიდრეობისათვის"* ომის (1740—48) დროს ს-ის დიდი ნაწილი პრუსიამ დაიპყრო. 1742-იდან ავსტრ. ჰაბსბურგებს ს-ის მხოლოდ სამხრ. სამთავროები დარჩათ, რ-თა ტერიტ. 1918 ავსტრ.-უნგრ. დაშლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში შევიდა. ს-ში მოხდა *სილეზიის ფეიქართა აჯანყება* 1793 და 1844. პოლ. სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1918) შემდეგ ს-ის მშრომელები იბრძოდნენ პოლონეთთან შეერთებისათვის (იხ. *სილეზიის აჯანყებები 1919, 1920, 1921*), მაგრამ იმპერიალ. სახელმწიფოების წინააღმდეგობის გამო მხოლოდ ზემო ს-ის 1/3 გადაეცა (1922) პოლონეთს. 1938—39 მთელი ს. ფაშისტური გერმანიის ხელში მოექცა. 1945 ს. საბჭ. არმიამ გაათავისუფლა. *პოტსდამის კონფერენციის* (1945) გადაწყვეტილებით დაადგინეს პოლ. დას. საზღვარი ოდერ-ნაისზე და ს-ის მეტი ნაწილი პოლონეთს დაუმტკიცეს.

სილეზია-მალოპოლსკის მაღლობი, მაღლობი პოლონეთის სამხრ. ნაწილში, მდ-ებს ვისლასა და ოდრას შორის. შედგება სილეზიის მაღლობისა (დას.) და მალოპოლსკის მაღლობისაგან (აღმ.), რ-შიც გამოიყოფა სვენტოქშის მთები (მთა ლისიცა, 612 *მ*-მდე) და კრაკოვ-ჩენსტოხოვის მაღლობი (სიმაღლე 504 *მ*-მდე). ს.-მ. მ. წარმოადგენს 200—300 *მ* სიმაღლის პლატოს. აგებულია მეტამორფიზირებული და მეზოზოური დანალექი ქანებით, რ-ებიც დაფარულია მორენული ნალექებით (სამხრ.-აღმ-ით — ლიოსებით). აქ არის *ზემო სილეზიის ქვანახშირის აუზი.* ს.-მ. მ-ის დიდი ნაწილი დახნულია.

სილეზიის აჯანყებები 1919, 1920, 1921, გერმანიის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ზემო სილეზიის პოლონელი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლები ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა და პოლონეთთან შეერთებისათვის. ს. ა. 1919 დაიწყო 17 აგვ; მიმართული იყო *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* (1919) წინააღმდეგ, რ-იც ზემო სილეზიაში მხოლოდ პლებისციტის ჩატარებას ითვალისწინებდა. პოლ. მთავრობა ანტანტის ქვეყნებთან კონფლიქტს ერიდებოდა და აჯანყებულებს მხარს არ უჭერდა. 1919 აჯანყება გერმ. ჯარებმა ჩაახშეს. სილეზიაში შეიყვანეს საფრ., იტალ. და ინგლ. ჯარები. შეიქმნა გერმ. და პოლ. პლებისციტური კომიტეტები. ს. ა. 1920 დაიწყო 19 აგვ; გამოწვეული იყო გერმ. ხელისუფალთა ანტიპოლ. ნაციონალისტური პროვოკაციებით. აჯანყება 25 აგვ. შეწყდა, რადგანაც პლებისციტის კომიტეტი დაკმაყოფილდა საერთო გერმ.-პოლ. პოლიციის შექმნით. ს. ა. 1921 3 მაისს დაიწყო, გამოიწვია ზემო

სილეზიის პოლ. მოსახლეობისათვის პლებისციტის (1921 წ. 20 მარტი) არახელსაყრელმა შედეგებმა. გაიფიცა 190 ათ. მუშა. ს. ა-ის გავლენით ერთა ლიგის საბჭომ 1921 ოქტ. მიიღო გადაწყვეტილება, რ-ის ძალითაც ზემო სილეზიის ტერიტ. 29% და მოსახლ. 46% პოლონეთს გადაეცა.

სილეზიის ფეიქართა აჯანყებები, 1793 აჯანყება, ფეიქარი გლეხების სტიქიური გამოსვლა, რ-საც შეუერთდნენ სილეზიის გლეხების ფართო მასები. მიმდინარეობდა მარტ-აპრილში. აჯანყება დაიწყო 23 მარტს შემბურგში (იმ დროს პრუსიას ეკუთვნოდა) და პრუსიის ფეოდალურ-ბატონყმური წესების წინააღმდეგ ბრძოლად გადაიზარდა, რ-შიც 20 ათ. კაცი მონაწილეობდა. სასტიკად ჩაახშეს პრუსიის ჯარებმა. 1844 აჯანყება, მუშათა პირველი დამოუკიდებელი გამოსვლა გერმანიაში. მიმდინარეობდა 4—6 ივნ. აჯანყების უშუალო მიზეზი კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ ფეიქრების ორმხრივი ექსპლუატაცია და მათი შრომის ანაზღაურების მკვეთრი შემცირება იყო, ამას დაემატა მოუსავლიანი წლები და ფეიქართა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება. თუმცა აჯანყება სტიქიური იყო, მისი მსვლელობისას გამოვლინდა, რომ მუშებმა თანდათან შეიგნეს თავიანთი კლასობრივი ინტერესები და კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიწყეს ჩაბმა. აჯანყებამ ხელი შეუწყო გერმ. დემოკრ. ბანაკში პროლეტ. მიმართულების გამოყოფას.

სილვესტრ დე სასი (Silvestre de Sacy) ანტუან ისააკ (21. IX. 1758, პარიზი, — 21. II. 1838, იქვე), ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე, წარწერების აკად. წევრი (1792), აღმოსავლური ენების სკოლის (1795-იდან), კოლეჟ დე ფრანსის (1806-იდან) პროფესორი. ბარონი (1814-იდან). 1823-იდან კოლეჟ დე ფრანსის, 1824-იდან აღმოსავლური ენების სკოლის დირექტორი. რესტავრაციის პერიოდში მიემხრო ბურბონებს. 1832-იდან საფრ. პერი. საზიო საზ-ბის („Société Asiatique") დამაარსებელი (1821) და პირველი პრეზიდენტი.

1833-იდან წარწერების აკად. მუდმივი სწავლული მდივანი. ს. დე ს-ს თხზულებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომებს არაბების, სასანიანების ისტ. შესახებ; არაბ. გრამატიკას, არაბ. ლიტრის ქრესტომატიას. ს. დე ს-ს ეკუთვნის არაბ და ირან. სწავლულთა (ალ-დამირი, მირხონდი, ალ-მაკრიზი, აბდ ალლატიფი) თხზულებების კრიტიკული თარგმანი კომენტარებითურთ, გამოკვლევა „ქილილა და დამანას" წყაროების შესახებ და სხვ. ცდილობდა ეგვ. იეროგლიფების გაშიფვრას.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 1, М.—Л., 1955; т. 4, М.—Л., 1957 (იხ. სანიებლები); Deherain H., Silvestre de Sacy, P., 1938; Fück J., Die arabischen Studien in Europa..., Lpz., 1955.

სილვინი (<Sylvius — ჰოლანდ. ექიმისა და ქიმიკოსის ფ. ბოეს გვარის ლათინიზებული ფორმა), ქლორიდების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა KCl. როგორც მინარევებს შეიცავს Br-ს, ზოგჯერ I-ს. კრისტალდება კუბურ სინგონიაში. უფერულია, სხვადასხვა ჩანართი აძლევს თეთრ ან მოწითალო ფერს. ჩვეულებრივ გვხვდება მკვრივი მარცვლოვანი აგრეგატების სახით. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2; სიმკვრივე 1990 *კგ/მ*^{3}. წყალში ადვილად იხსნება, აქვს მომლაშომწარე გემო. წარმოიქმნება დალექვით. ჰალიტთან და კარნალიტთან ერთად გვხვდება კალიუმის მარილების საბადოებში.

სილიმანიტი, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (მერისის სოფსაბჭო), მდ. მერისის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 490 *მ*, ქედიდან 11 *კმ*. მერისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეველახეობა, მეჭაიეობა). საშ. სკოლა სოფ. მერისში (2 *კმ*). ბ-კა, კინოდანადგარი.

სილიკატბეტონის ნაკეთობანი, *სილიკატური ბეტონისაგან* დამზადებული ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციების ელემენტები (კედლისა და გადახურვის პანელები, საკედლე ბლოკი, სვეტი, კოჭი და სხვ.). ს. ნ. არის უარმატურო და დარმატურებული (არმოსილიკატბეტონის ნაკეთობანი). ს. ნ-ს იყენებენ საცხოვრ., სამოქალაქო, სამრეწვ. და სას.-სამ. მშენებლობაში. ეს ნაკეთობანი ცვლის ცემენტის ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობებს (მათთან შედარებით 10—15%-ით იაფია). იმ ს. ნ-თა არმატურა და ჩასატანებელი დეტალები, რ-ებიც გამიზნულია შენობის გარე ნაწილისა და 60%-ზე მეტი ჰაერის ფარდობითი ტენიანობის მქონე სათავსისათვის, დაცული უნდა იყოს კოროზიისაგან (სპეც. დაფარვა, მოლითონება და ა. შ.). Ზ. *წილოსანი.*

სილიკატები ბუნებრივი (<ლათ. silex — კაჟი), სილიციუმჟანგბადიანი რადიკალების შემცველი ბუნებრივი ქიმ. ნაერთების მინერალთა კლასი. ს-ის სტრუქტურის საფუძველია სილიციუმჟანგბადიანი ტეტრაედრები $[SiO_4]^{4-}$ (ნახ. 1), რ-ებიც საერთო ჟანგბადის საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის სხვადასხვა ტიპის ანიონურ რადიკალს (ნახ. 2). ს-ის კლასიფიკაცია ამ რადიკალების ტიპებს ემყარება (იხ. ცხრ.). ზოგიერთი რთული შედგენილობის ს-ში $[SiO_4]^{4-}$-ის გარდა შედის აგრეთვე Al-ის (*ალუმინსილიკატები*), Be-ის (*ბერილიუმსილიკატები*), B-ის (*ბორსილიკატები*), Ti-ის (*ტიტანსილიკატები*), Zr-ის (*ცირკონსილიკატები*) ტეტრაედრული ჯგუფები ან $(UO_2)^{2+}$ — ურანილი (*ურანსილიკატები*). ს-ში ხშირია დამატებითი ანიონები: F^-, O^{2-}, $(OH)^-$, $(SO_4)^{2-}$, $(CO_3)^{2-}$ და სხვ. კატიონებია: Na^+, K^+, Li^+, Mg^{2+}, Fe^{2+}, Ca^{2+}, Be^{2+}, Al^{3+}, Fe^{3+} Ti^{4+}, Zr^{4+} და სხვ. ს-ში გავრცელებულია *იზომორფიზმი* (განსაკუთრებით კატიონებში) და *პოლიმორფიზმი*. ს-ში შემავალი წყალბადი $(OH)^-$-ის გარდა გვხვდება კრისტალიზაციური, ცეოლითური ან ფენათაშორისი წყლის, აგრეთვე $(H_3O)^+$ —ოქსონიუმის სახით.


ს-ის უმრავლესობა (74%) კრისტალდება ტრიკლინურ, მონოკლინურ და რომბულ სინგონიებში. სტრუქტურული და ქიმ. მრავალფეროვნება განაპირობებს თვისებათა ცვალებადობას ფართო ფარგლებში. მაგ., სიმაგრე მინერალოგიური სკალით იცვლება 1-იდან (ტალკი) 8-მდე (ტოპაზი), სიმკვრივე 1900 *კგ/მ*^{3}-იდან 7000 *კგ/მ*^{3}-მდე (საშუალოდ 2500—3500 *კგ/მ*^{3}). ს. ყველა გეოლ. პროცესის დროს წარმოიქმნება. ისინი დედამიწის ქერქის მასის 80%-ს შეადგენს, აგებს აგრეთვე მთვარის ქანებს; შედის ზოგიერთი მეტეორიტის შედგენილობაშიც. ვარაუდობენ, რომ ს-გან აგებულია დედამიწის მანტიაც.

მრავალი ს. ძვირფას სასარგებლო წიაღისეულს წარმოადგენს. ცნობილია ლითიუმის, ბერილიუმის, თუთიის, რკინის, ალუმინის, ნიკელისა და სხვ. სილიკატური მადნები. ს. წარმოადგენს არალითონურ სასარგებლო წიაღისეულთა დიდ ნაწილს (*მინდვრის შპატები, ქარსები, აზბესტი, ტალკი, ბენტონიტური თიხები, ძვირფასი და სანახელავო ქვები* და სხვ.).

ლიტ.: Минералы. Справочник, т. 3, в. 1—3, М., 1972—81.

სილიკატები სინთეზური, სილიციუმან ალუმინსილიციუმმჟავათა მარტივი ან რთული მარილები. ს. ს. ცემენტის, ცეცხლგამძლე მასალების, წიდების, წითელი და სილიკატური აგურის, ფაიფურისა და ქაშანურის, მინების, ჭიქურების, მინანქრების, ადსორბენტების, კატალიზატორებისა და სხვათა ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ბუნებრივი სილიკატებისაგან განსხვავებით ს. ს. შეიძლება მივიღოთ მინარევების გარეშე ერთფაზიანი პროდუქტის სახით. სინთეზირებულია ბუნებრივი სილიკატების თითქმის ყველა ანალოგი, აგრეთვე სილიკატები, რ-ებიც ბუნებაში არა გვხვდება. ტექნიკაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კალციუმის სილიკატებს $3CaO \cdot SiO_2$ და $2CaO \cdot SiO_2$ (პორტლანდცემენტის ძირითადი კომპონენტებია), მაგნიუმისა და ალუმინის სილიკატებს (ცეცხლგამძლე მასალების ძირითადი კომპონენტები) და სხვ.

ლიტ.: Химическая технология керами-



ნახ. 2. სილიკატების რადიკალები: ა — შეწყვილებული ტეტრაედრები $[Si_2O_7]^{6-}$; ბ — ექვსმაგი რგოლი $[Si_6O_{18}]^{12-}$; გ — $[Si_2O_6]^{4-}$-ის ბეწვის ფრაგმენტი.

ბუნებრივი სილიკატების კლასიფიკაცია

ქვეკლასი და მისი დამახასიათებელი სილიციუმჟანგბადიანი რადიკალები	ტიპური მინერალები
განცალკევებული ტეტრაედრების შემცველი სილიკატები (ორთოსილიკატები); $[SiO_4]^{4-}$	*ანდალუზიტი, გრანატები, დატოლითი, დისთენი, ეოლემიტი, თორიტი, ოლივინი, სილიმანიტი, სფენი, ტოპაზი, ფენაკიტი.*
შეწყვილებული ტეტრაედრების შემცველი სილიკატები (დიორთოსილიკატები); $[Si_2O_7]^{6-}$	*ეპიდოტი, კალამინი, ორთიტი, ცოიზიტი.*
რგოლისებრი რადიკალების შემცველი სილიკატები; ა) მარტივი რგოლები: $[Si_3O_9]^{6-}$, $[Si_4O_{12}]^{8-}$, $[Si_6O_{18}]^{12-}$, $[AlSi_5O_{18}]^{13-}$ და სხვა. ბ) შეწყვილებული (ორსართულიანი) რგოლები: $[Si_8O_{20}]^{8-}$, $[Si_{12}O_{30}]^{12-}$ და სხვ.	*ბივრილი, კორდიერიტი.* *ტურმალინი.*
„ერთგანზომილებიანი" სილიკატები: ა) ძეწკვები: $[Si_2O_6]^{4-}$, $[Si_4O_{12}]^{8-}$; $[Si_3O_9]^{6-}$, $[Si_5O_{15}]^{10-}$, $[Si_7O_{21}]^{14-}$ და სხვ. ბ) შეწყვილებული ძეწკვები—ბაფთები: $[Si_4O_{11}]^{6-}$, $[Si_6O_{17}]^{10-}$, $[Si_8O_{15}]^{6-}$, $[Si_8O_{20}]^{8-}$ და სხვ.	*პიროქსენები, როდონტი, ვოლასტონიტი.* *ამფიბოლები.*
ფენობრივი სილიკატები: $[Si_4O_{10}]^{4-}$, $[Si_8O_{20}]^{8-}$ და სხვ.	*ტალკი, პიროფილიტი, ქარსები, ქლორიტები, ქლორიტოიდი, თიხის მინერალები, ჰიდროქარსები, სერპენტინი, ვერმიკულიტი, პალიგორსკიტი.*
კარკასული სილიკატები; $[Al_xSi_{n-x}O_{2n}]^{x-}$, $x \leqslant \frac{1}{2}n$.	*მინდვრის შპატები, ცეოლითები, ანალციმი, ნეფელინი, ლეიციტი, სკაპოლითი.*



სილიოსკეა.

ки и огнеупоров, под ред. П. П. Будникова и Д. Н. Полубояринова, М., 1972.

სილიკატური ბეტონი, კირ-კაჟმიწოვანი მჭიდა ნივთიერების, არაორგანული შემვსებისა და წყლისაგან შედგენილი ნარევის *ავტოკლავებში* თბურტენიანი დამუშავებით მიღებული *ბეტონი. სილიკატბეტონის ნაკეთობათა* ორთქლით დამუშავების პროცესში (P=0,9—1,5 *მეგპა*; t=174,5—197,4°C) ნარევი მყარდება (მასში ჰიდროსილიკატებისა და კალციუმის სხვა ნაერთების წარმოქმნის შედეგად) და იძენს სიმტკიცეს კუმშვაზე 60 *მეგპა*-მდე, ან ზოგჯერ მეტსაც. ს. ბ-ის დამზადებისას მჭიდა ნივთიერებად იყენებენ ჰაერკირის ან ჰიდრავ. კირისა და სილიციუმის ორჟანგის შემცველი მასალის (კვარცის ქვიშა, ვულკ. ქანები და სხვ.) წმინდად ნაფქვავ ნარევს, შემვსებად კი — ბუნებრივ ან ხელოვნურ (კარბონატულ, წიდისა და სხვ.) ქვიშას, აგრეთვე მსხვილ შემვსებს. ს. ბ-ს ორნაირად ამზადებენ: ჩაუმქრალ კირს ფქვავენ კაჟმიწიან მასალასთან ერთად და მიღებულ მჭიდა ნივთიერებას შეურევენ ქვიშასა და წყალს, ანდა ჩამქრალ კირს შეურევენ დაფქულ ქვიშას. თავისი თვისებებით ს. ბ. უახლოვდება *პორტლანდცემენტის* საფუძველზე დამზადებულ ბეტონს (სიმკვრივე — 1800 — 2200 *კგ/მ*^{3}, ფინვამედეგობა — 75—200 ციკლი).

ჯ. წილოსანი.

სილიკატური ნაკეთობანი, სხვადასხვა დანიშნულების ცალეული საშენი მასალები (აგური, საკედლე ბლოკი, გადახურვის ფილა, აგრეთვე მინა, მინერ. ბოჭკო, კერამ. მასალა, *ავტოკლავური მასალა* და სხვ.), რ-თა ძირითადი საწყისი ნედლეულია კაჟმიწის (Si_xO_y) შემცველი ბუნებრივი და ხელოვნური მასალა (ქვიშა, დიატომიტი, ტრეპელი, ვულკ. და პერლიტური ქანები, მეტალ. წარმოების წიდა, თეცის ნაცარი, ნამწვი ქანები და ა. შ.). ს. ნ. ზოგჯერ სხვა დანამატების (ფლუსი, მჭიდა ნივთიერებები, პიგმენტები, მამჭლევებლები, ფორების წარმომქმნელები და მისთ.) ნარევების თბოდამუშავებითაც მზადდება.

საქ. სსრ-ში მუშაობს სილიკატური აგურის, მინისა და სხვა ქ-ნები.

ლიტ.: ბოლქვაძე ლ., ანდრიაძე ი., საშენი მასალები, ნაწ. 1, თბ., 1978; ქუთათელაძე კ., კაკაბაძე ნ., ოდიშარია კ., კერამზიტი, თბ., 1961; Бутт Ю. М., Дудеров Г. Н., Матвеев М. А., Общая технология силикатов, 3 изд., М., 1976.

ლ. ბოლქვაძე.

სილიკა (ლათ. siliqua), რომაული ვერცხლის მონეტა, უკნინესი წონითი ერთეული (მასა 0,19 *გ*). გვიანდ. რომისა და ბიზანტ. იმპერიის ხანაში საფუძვლად დაედო საანგარიშო სისტემას. სოლიდის 1/24 ნაწილი. დაახლ. 324, კონსტანტინე I-ის დროს (306—337), დაიწყო ს-ის ემისია (მასა დაახლ. 2 *გ*-მდე), რ-მაც კონსტანციუს II-ის (351—361) დროს თანდათან საბოლოოდ განდევნა მიმოქცევიდან დუნარი. საქართველოში (მცხეთა) აღმოჩენილია იმპ. ვალენტის (364—375) სახელით ანტიოქიაში მოჭრილი ს. (მასა 1,85 *გ*).

გ. დუნდუა.

სილიკოზი (<ლათ. silex — კაჟი), ადამიანის პროფესიული დაავადება, რ-იც ვითარდება კვარცის ან მისი შემცველი მტვრის ხანგრძლივი დროის მანძილზე შესუნთქვის შედეგად; *პნევმოკონიოზის* სახეობა. უმეტესად გვხვდება სამთამადნო, მეტალ., სამანქანათმშენებლო, ფაიფურ-ქაშანურის, საალმშენებლო მასალებისა და სხვ. საწარმოების მუშებს შორის. პნევმოკონიოზის ჯგუფის სხვა დაავადებებთან შედარებით ყველაზე ხშირად ს-ს დაერთვის ტუბერკულოზური პროცესი (ე. წ. სილიკოტუბერკულოზი). ს-ს ახასიათებს ფილტვებში კვანძოვანი, იშვიათად ინტერსტიციული ფიბროზის განვითარება, ფილტვების ემფიზემა, მესამე სტადიაში — შეგუბებითი მოვლენები სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში, ქვემო კიდურების შეშუპება, ღვიძლის გადიდება და სხვ.

სილიკოთერმია, ლითონებისა და შენადნობების მიღება ლითონის ჟანგეულებისაგან (მადნები, კონცენტრატები) სილიციუმით აღდგენის შედეგად. ჟანგეულების Si-ით აღდგენის პროცესი მიმდინარეობს სითბოს გამოყოფით, მაგრამ უმეტესად ეს სითბო ლუმელგარეშე პროცესების განსახორციელებლად საკმარისი არ არის. ამის გამო პროცესს ელექტროლუმლებში წარმართავენ. გამონაკლისს მხოლოდ მოლიბდენის ჟანგეულების Si-ით აღდგენის პროცესი წარმოადგენს. რეაქციის წარმართვისათვის სილიციუმისა და მოლიბდენის ჟანგის ნარევს უმატებენ Al-ის განსაზღვრულ რაოდენობას, რათა შეივსოს რეაქციისათვის საჭირო სითბოს დეფიციტი.

ლუმელშიგა სილიკოთერმულ პროცესს ატარებენ ფოლადსადნობ ლუმლებში. ფეროვანადიუმს ღებულობენ 75%-იანი ფეროსილიციუმისაგან: $2/5V_2O_5$ Si→ $4/5V+SiO_2$. მიღებული ფეროვანადიუმი 15%-მდე Si შეიცავს, რის გამოც საჭიროა მისი რაფინირება. ამ მეთოდს იყენებენ აგრეთვე ლითონური Mn და მცირენახშირბადიანი ფეროქრომის მისაღებად. ვაკუუმურ ს-ს ძირითადად იყენებენ Mg და მისი ჟანგეულების, აგრეთვე სხვა ტუტე და ტუტემიწა ლითონების მისაღებად. Mg-ს აღადგენენ გამომწვარი დოლომიტიდან 10^{-2} ვაკუუმის პირობებში $2CaO+2MgO+Si→2Mg++2CaO\cdot SiO_2$

ბ. გოგორიშვილი.

სილიკოკალციუმი, სილიციუმის ფუძეზე დამზადებული შენადნობი, რ-იც შეიცავს 23—32% Ca, 2—4% Fe, დანარჩენს Si. ს-ს გამოადნობენ მადანთერმულ ლუმელში ნახშირბადაღმდგენი პროცესით (იხ. *კარბოთერმია*) კირისა და კვარციტისაგან. კაზმისათვის რკინის ბურბუშელის დამატებისას ნახშირბადაღმდგენი ან სილიკოთერმული (იხ. *სილიკოთერმია*) პროცესით ღებულობენ ფეროსილიკოკალციუმს, რ-იც შეიცავს 10—20% Ca და 25%-მდე Fe. ორივე შენადნობს იყენებენ განმჟანგველებად ფოლადის გამოდნობისას.

სილიკომანგანუმი, *ფეროშენადნობი*, რ-ის ძირითადი კომპონენტებია სილიციუმი და მანგანუმი; გამოადნობენ მადანთერმულ ლუმელში ნახშირბადაღმდგენი პროცესით (იხ. *კარბოთერმია*). მანგანუმის მადნის, მანგანუმის წიდისა და კვარციტისაგან მიღებულ ს-ს (10—26% Si, დანარჩენი Mn, Fe და მინარევები) იყენებენ განმჟანგველად და მალეგირებელ მისართად ფოლადის გამოდნობისას, აგრეთვე ფერომანგანუმის გამოსადნობად. 28—30 % Si-ის შემცველ ს-ს იყენებენ ლითონური მანგანუმის წარმოებაში.

სილიკონები, იხ. სტ. *სილიციუმორგანული პოლიმერები.*

სილიმანიტი [სახელი ეწოდა ამერ. მეცნიერის ბ. სილიმანის (B. Silliman) პატივსაცემად], სილიკატების კლასის მინერალი; $Al[AlSiO_4]O$-ის პოლიმორფული მოდიფიკაცია (ასეთივე შედგენილობისაა *ანდალუზიტი* და *დისთენი*). კრისტალდება რომბულ სინგონიაში. აქვს ნემსისებრი კრისტალები, აგრეგატები — წმინდაბოჭკოვანი. ნატრისფერი, ღია მურა და ბაცი მწვანეა; ელვარება მინისებრი აქვს. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 6,5—7,5; სიმკვრივე 3270 *კგ/მ*^{3}. გვხვდება მეტამორფულ ქანებში. იყენებენ თიხამიწით მდიდარი ცეცხლგამძლე მასალების დასამზადებლად.

სილიო (Coprinus atramentarius), ქუდიანი საჭმელი სოკო კოპრინუსისებრთა ოჯახისა. ქუდი, რ-ის დიამეტრია 5—10 *სმ*, ფორმით ჯერ კვერცხისებრია, შემდეგ ზარისებრი, ფერად — ნაცრისფერი ან ნაცრისფერ-ყავისფერი, ზედაპირი დაფარულია წვრილი ბუსუსებით. ფეხი თეთრია, 10—12 *სმ* სიგრძისა, ფუმფუ. საგელო, რ-იც ნორჩობაში აქვს, სწრაფად ქრება და მის ადგილზე რჩება ლილვაკისებური წარმონაქმნი. ფირფიტები ჯერ თეთრია, შემდეგ შავი და მომწიფებისას ქუდთან ერთად ლღვება შავ სითხედ. იზრდება დამპალ ფოთლოვან ხეებთან ახლოს, არხების პირას, ლამიან ადგილას, აპრ-იდან ნოემბ-მდე. იჭმება ნორჩობაში ახალი (სანამ ფირფიტები გაუშავდება). ალკოჰოლთან ერთად შხამიანია.

ი. ნახუცრიშვილი.

სილისტრა, სილისტრია, ქალაქი და ნავსადგური ჩრდ.-აღმ. ბულგარეთში, მდ. დუნაის მარჯვ. ნაპირზე. სილისტრის ოკრუგის ადმ. ცენტრი. 58 ათ. მცხ. (1982). რკინიგზის სადგური. ელექტრონული გამომთვლელი მანქანების, ჩარხების, სამსხმელო მოწყობილობის წარმოება, კვების, საფეიქრო, ავეჯის მრეწვ. საწარმოები. წარმოიშვა როგორც რომაული დასახლება დუროსტორუმი, III — VI ს-ში ციხესიმაგრე და ადმ. ცენტრი იყო, VIII—XIV ს-ში — ბულგ. ქალაქი და ციხესიმაგრე დოროსტოლი (ბულგ. Дръстър). XIV ს-ში ქალაქი ხელთ იგდეს ოსმალებმა და ს. უწოდეს.

სილისტრის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული ჩრდ.-აღმ. ბულგარეთში, ბორცვიან დუნაის ვაკეზე. ფართ. 2,9 ათ. *კმ*^{2}. მოსახლ. 175 ათ. კაცი (1978). ადმ. ც. — ქ. სილისტრა. სახალხო ხელისუფლების წლებში შეიქმნა მანქანათმშ. (ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ჩარხები, სავოფაცხოვრები ტექნიკა და სხვ.), განვითარდა კვების, საფეიქრო და ხის დასამუშ. მრეწვ., ლელქაშის ნაკეთობათა დამზადება. ოკრუგის სამრეწვ. წარმოების 4/5-ზე მეტს იძლევა ქ. სილისტრა. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები (ხორბალი, სიმინდი), აგრეთვე ლობიო, მზესუმზირა, კანაფი, თამბაქო. განვითარებულია მებაღეობა (უმთავრესად გარგარი), მევენახეობა. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ცხვარს, ღორს.

სილიტოუ, სილიტო (Sillitoe) ალან (დ. 4. III. 1928, ნოტინგემი), ინგლისელი მწერალი. აგრძელებს ინგლ. ლიტ-რის რეალისტურ ტრადიციებს. მისი რომანები უმთავრესად სოც. ხასიათისაა. მათგან აღსანიშნავია პირველივე რომანი „შაბათ სალამოს, კვირა დილას" (1958), რ-საც ერთხმად უწოდეს „მუშური რომანი", აგრეთვე „შორეულ დისტანციაზე მორბენლის მარტოობა" (1959), „გენერალი" (1960), „კარის გასაღები" (1961), „უილიამ პოუსტერზის სიკვდილი" (1965), „ცეცხლმოდებული ხე" (1967), „მოგზაურობა ნიპპონში" (1971), „სიცოცხლის ალი" (1974). ს-ს ეკუთვნის აგრეთვე ლექსების რამდენიმე კრებული („ვირთხები", 1960), მოთხრობები, სტატიები, მოგზაურობის წიგნი „გზა ვოლგოგრადისკენ" (1964) და სხვ.

სილიციდები (<ლათ. silicium — სილიციუმი), სილიციუმის ქიმ. ნაერთი ლითონებთან და ზოგიერთ არალითონთან. ქიმ. ბმის მიხედვით განარჩევენ ს-ის სამ ძირითად ჯგუფს: იონურ-კოვალენტურს, კოვალენტურსა და ლითონისებრს. ს-ს ღებულობენ სილიციუმისა და შესაბამისი ლითონის ფხვნილების ნარევის შეცხობით ან შელღობით; Si, SiC, SiO_2-სა და ბუნებრივ ან სინთეზურ სილიკატებთან ლითონთა ჟანგეულების გახურებით; ლითონის ურთიერთქმედებით $SiCl_4$ და H_2 ნარევთან და სხვ. ს-ს იყენებენ საავიაციო და რაკეტულ ტექნიკაში და სხვ. *სილიციუმკარბიდი* — ერთ-ერთი ნახევრადგამტარული მასალაა.

სილიციუმი (Silicium), Si, ელემენტთა პერიოდული სისტემის IV ჯგ. ქიმ. ელემენტი. ატ. ნომერი 14, ატ. მასა 28,086, $t_{დნ}$ 1417°C, $t_{დუღ}$ 2600°C. სიმკვრივე

2330 *კგ/მ*³. მუქი რუხი ფერის ლითონური ბზინვარების კრისტალები. ს. გვხვდება სამი მდგრადი იზოტოპის სახით: ^{28}Si (92,27%), ^{29}Si (4,68%) და ^{30}Si(3,05%). ს. ადამიანისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ქვის ხანიდან. ძვ. ეგვიპტეში 3000 წლის წინათ იცოდნენ მისი ბუნებრივი ნაერთების გადამუშავება. მაგ., *მინის* წარმოება. ბერცელიუსმა დაადგინა კაჟმიწის (SiO_2) შედგენილობა, მანვე 1825 გამოყო ელემენტური ს. SiF_4-ზე კალიუმის მოქმედებით.

ს. დედამიწის ქერქში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ელემენტია. ლითოსფეროში მისი შემცველობა მასის მიხედვით 29,5%-ია. ს-ის შემცველი მინერალების რიცხვი 400-ზე მეტია.

ნაერთებში ს-ის ჟანგვის ხარისხია −², +2 და +4. ნახშირბადისაგან განსხვავებით ს-თვის არ არის დამახასიათებელი ორმაგი ბმებისა და Si—Si გრძელი ჯაჭვების წარმოქმნა. იგი მდგრადია ჰაერის მიმართ მაღალ ტემპ-რაზედაც კი მის ზედაპირზე დამცველი აფსკის წარმოქმნის გამო. 400°C-ზე ჟანგბადთან წარმოქმნის *სილიციუმის ორჟანგს*. მედეგია მჟავების მიმართ, იხსნება მხოლოდ ფთორწყალბად- და აზოტმჟავას ნარევში, ტუტეების ცხელ ხსნარებში (წყალბადის გამოყოფით). ფთორს ს. უერთდება ჩვეულებრივ ტემპ-რაზე, ხოლო დანარჩენ ჰალოგენებს — გაცხელებისას (იხ. *სილიციუმჰალოგენიდები*). წყალბადს უშუალოდ არ უერთდება. *სილიციუმწყალბადები* (სილანები) მიიღება სილიციდების დაშლით. ს. აზოტს 1000°C-ზე მაღალ ტემპ-რაზე უერთდება. პრაქტ. მნიშვნელობა აქვს ნიტრიდს Si_3N_4, რ-იც განსაკუთრებული მედეგობით გამოირჩევა. ასევე გამოირჩევა ს-ის ნაერთები ნახშირბადსა (სილიუმკარბიდი SiC) და ბორთან (SiB_3, SiB_6, SiB_{12}). ს. რეაგირებს ქლორორგ. ნაერთებთან (ლითონური კატალიზატორების თანაობისას) და წარმოქმნის ორგანოქლორსილანს $Si(CH_3)_3Cl$, რ-ებსაც იყენებენ *სილიციუმორგანული ნაერთების* სინთეზისათვის. ს. თიოქმის ყველა ლითონთან წარმოქმნის ნაერთებს *სილიციდებს*, რ-თაც დიდი პრაქტ. გამოყენება აქვთ მეტალურგიაში, ენერგეტიკაში და სხვ. ს-ს ტექნიკაში ღებულობენ ელექტრულ რკალში გრაფიტის ელექტროდებს შორის SiO_2-ის აღდგენით. ამ დროს მიიღება 95—98% სისუფთავის პროდუქტი. ნახევრად გამტარული ტექნიკა მოითხოვს განსაკუთრებულად სუფთა ს-ს, რის გამო შემუშავებულია მისი მიღების სხვადასხვა მეთოდი. პოლიკრისტალური ნახევრად გამტარული ს. მიიღება $SiCl_4$, $SiHCl_3$-ის აღდგენით ან SiI_4 და SiH_4-ის დაშლისას, მონოკრისტალური პროდუქტი კი ს-ის ზონური ლღობით. სპეციალურად ლეგირებულ ს-ს იყენებენ ნახევრად გამტარული მოწყობილობების, ხელსაწყოებისა და აპარატურის დასამზადებლად (ტრანზისტორები, თერმისტორები, ტირისტორები, დენის გამმართველები, ფოტოელემენტები კოსმ. ტექნიკისათვის და სხვ.). ს-ს იყენებენ ინფრაწითელ ოპტიკაში, მეტალურგიაში, სილიციუმორგ. ნაერთებისა და სილიციდების სინთეზირებისას. კაჟმიწასა და სილიკატებს ფართოდ იყენებენ მინის, ცემენტის, კერამიკულ, ელექტროტექ. და სხვა წარმოებაში.

ს. ორგანიზმში შედის ძირითადად ჩონჩხის ნაწილებსა და ქსოვილებში. ზოგიერთი ზღვის მცენარე განსაკუთრებით მდიდარია ს-ით (მაგ., დიატომური წყალმცენარეები, ზღვის ღრუბლები, რადიოლარიები). ხერხემლიან ცხოველებში ს-ის შემცველობა ნაცრიან ნივთიერებებში 0,1—0,5%-ია. SiO_2 შესუნთქვა იწვევს *სილიკოზს*.

ლიტ.: Ренъян В. Р., Технология полупроводникового кремния, пер. с англ., М., 1969.

სილიციუმის ანჰიდრიდი, იგივეა, რაც *სილიციუმის ორჟანგი*.

სილიციუმის ორჟანგი, სილიციუმის ანჰიდრიდი, კაჟმიწა, SiO_2, სილიციუმის ნაერთი ჟანგბადთან; $t_{დნ}$ 1728°C, $t_{დუღ}$ 2590°C, მჟავაში არ იხსნება. კაჟმიწა მიწერალ კვარცისა და სხვათა სახით შეადგენს დედამიწის ქერქის მასის დაახლ. 12%. ს. ო-ს იყენებენ სილიკატურ მრეწველობაში (მინის, კერამიკისა და სხვ. წარმოებაში), კვარცის კრისტალებს იყენებენ რადიოტექნიკასა და ულტრაბგერით დანადგარებში.

სილიციუმის ორჟანგის მინერალები, ჟანგეულების კლასის მინერალების ჯგუფი (ზოგიერთი კლასიფიკაციით განეკუთვნება კარკასულ სილიკატებს). წარმოადგენს SiO_2-ის სხვადასხვა პოლიმორფულ მოდიფიკაციას — განსხვავდება ერთმანეთისაგან. კრისტ. სტრუქტურით, რაც მათი ფიზ. თვისებების სხვადასხვაობასაც განაპირობებს. განსხვავდება მათი კრისტალების იერიც. ს. ო. მ. მდგრადია სხვადასხვა ტემპ-რისა და წნევის პირობებში და გვხვდება სხვადასხვა ბუნებრივ წარმონაქმნში (უმრავლესობა მეტასტაბილური ფაზის სახით). ყველაზე მეტად ბუნებაში გავრცელებულია *კვარცი*. β-ტ რ ი დ ი მ ი ტ ი და β-კ რ ი ს ტ ო ბ ა ლ ი ტ ი გვხვდება ახალგაზრდა ეფუზივებში; α-კ რ ი ს ტ ო ბ ა ლ ი ტ ი და α-ტ რ ი დ ი მ ი ტ ი *აქატის, ქალცედონისა* და *ოპალის* ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია; ს ტ ი შ ო ვ ი ტ ი და კ ო ე ს ი ტ ი დადგენილია არიზონის მეტეორიტულ კრატერში (აშშ), სადაც მათი გაჩენა განაპირობა მეტეორიტის დედამიწაზე დაცემისას წარმოქმნილმა მაღალმა ტემპ-რამ და წნევამ. კ ი ტ ი ტ ს მხოლოდ სინთეზურად იღებენ.

ლიტ.: Дэна Дж., Дэна Э. С., Фрондель К., Минералы кремнезема, пер. с англ., М., 1966 (Система минералогии, т. 3).

სილიციუმკარბიდი, კ ა რ ბ ო რ უ ნ დ ი, SiC, სილიციუმის ნაერთი ნახშირბადთან; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი *კარბიდი*, რ-საც იყენებენ ტექნიკაში. სუფთა კ. უფერული კრისტალური ნივთიერებაა, სიმკვრივე 3200 *კგ/მ*³; ალმასივით ელვარებს. ტექ. პროდუქტი მწვანე ან მოლურჯო-შავი ფერისაა. მისი ძირითადი მოდიფიკაციები ჰექსაგონური (α-SiC) და კუბურია (β-SiC). ს. ძლიერ მაღალი სისალისაა (ჩამოუვარდება *ალმასსა* და *ბორის კარბიდს*), ძნელდნობადია, მედეგია სხვადასხვა ქიმ. გარემოს მიმართ (მაღალ ტემპ-რაზეც); იყენებენ ელექტროტექნიკაში, აბრაზიულ მასალად, მაგარი მასალის გასაჭრელად და სხვ.

სილიციუმმჟავები, სილიციუმის ანჰიდრიდის SiO_2 ნაწარმები, წყალში მცირედ ხსნადი ძლიერ სუსტი არაორგანული მჟავები. სუფთა სახით მიღებულია მეტასილიციუმმჟავა H_2SiO_3 და $H_2Si_2O_5$. ამორფული SiO_2 წყალში ძირითადად წარმოქმნის ორთოსილიციუმმჟავას H_4SiO_4; მდგრად მაღალკონცენტრირებულ ს-ს ხოლს, რ-იც შეიცავს სპეც. ნივთიერებას — სტაბილიზატორს, იყენებენ ქაღალდის წარმოებაში, მსუბუქ მრეწველობაში, წყლის გასასუფთავებლად.

სილიციუმორგანული კაუჩუკები, $[-Si(R_2)-O-]_n$, *სილიციუმორგანული პოლიმერები*, რ-თა თვისებები კაუჩუკის თვისებების მსგავსია. სამრეწველო ს. კ. ეკუთვნის პოლიორგანოსილოქსანების კლასს. ს. კ-ს ღებულობენ დიორგანოდიქლორსილანების ჰიდროლიზით და წარმოქმნილი ციკლოსილოქსანების შემდგომი პოლიმერიზაციით კატალიზატორების (ტუტეები ან გოგირდმჟავა) თანაობისას. ს. კ. გამჭვირვალე, ჟელეს მსგავსი უფერული პროდუქტებია, არა აქვთ სუნი და გემო; სიმკვრივე 960—980 *კგ/მ*³-ია, გამინების ტემპ-რა დაახლ. —130°C. მათი ვულკანიზაცია მიმდინარეობს უმთავრესად ორგ. ზეჟანგებით (მაგ., კუმოლის, მესამეული ბუტილის ზეჟანგებით). ს.კ-ს მიაკუთვნებენ სპეც. დანიშნულების კაუჩუკებს. მათ საფუძველზე დამზადებული რეზინი გამოირჩევა მაღალი ატმოსფერო-, თბო- და ცივგამძლეობით, ელექტროსაიზოლაციო თვისებებით. ს. კ-ს ძირითადად იყენებენ სხვადასხვა ელექტროსაიზოლაციო მასალის დასამზადებლად, საავიაციო მრეწველობაში, მედიცინაში.

სილიციუმორგანული ლაქები, *სილიციუმორგანული პოლიმერების*—პოლიორგანოსილოქსანების (უმთავრესად პოლიმეთილფენილსილოქსანების) ფუძეზე დამზადებული ლაქები. ს. ლ-ის გამხსნელად იყენებენ არომატულ ხსნარმრწყალბადებს და მათ ნარევებს ეთერებთან, სპირტებთან, კეტონებთან. ს. ლ-ის ფუძისაგან მინანქრის მიღებისას იყენებენ არაორგ. პიგმენტებს (ტიტანის ორჟანგს, რკინის ჟანგს, ალუმინის პუდრს), შემვსებად კი — ცარცს, ტალკს, დაფქულ ქარსს. მაღალტემპ-რული შრობის ს. ლ-ს აქვს კარგი საელესლუატაციო თვისებები. მისი საფარი მედეგია ატმ. ფაქტორების მოქმედების მიმართ. ს. ლ-სა და მათ ფუძეზე დამზადებულ მინანქრებს იყენებენ უმთავრესად საიზოლაციო მასალად ელექტროტექ. მოწყობილობებისათვის, სხვადასხვა ნაკეთობის დასაცავად და სხვ.


სილიციუმორგანული ნაერთები, ელემენტორგანული ნაერთები, რ-თა მოლეკულებში სილიციუმის ატომი უშუალოდ დაკავშირებულია ნახშირბადის ატომთან. ს. ნ. იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. ორგანოჰალოგენსილანები [ალკილ (არილ)-ჰალოგენსილანები] R_nSiX_{4-n}; ორგანოჰიდრიდჰალოგენსილანები $R_nSiH_mX_{4-(n+m)}$ (სადაც X უფრო ხშირად ქლორია); ორგანოალკოქსისილანები $R_nSi(OR')_{4-n}$; ორგანოაცილოქსისილანები $R_nSi(OCOR')_{4-n}$; ორგანოამინოსილანები $R_nSi(NH_2)_{4-n}$.


2. ორგანოსილანები (ჩანაცვლებული სილანები) R_nSiH_{4-n};

3. ორგანოსილოქსანები, რ-ებიც შეიცავენ დისილოქსანებს $R_3SiOSiR_3$, ტრისილოქსანებს $R_3SiOSi(R_2)OSiR_3$ და ა. შ.; ციკლოსილოქსანები $(R_2SiO)_n$, სადაც n=3—10 (ხშირად 3—4).


4. ჰეტეროციკლური ნაერთები. მაგ. დიმეთილსილაციკლობუტანი



პირველი ორი ჯგუფის ნაერთებს აკუთვნებენ აგრეთვე ქიმ. თვისებებით ახლოს მდგომ შესაბამის არაორგ. ანალოგებს, მაგ., ჰალოგენსილანებს SiH_mX_{4-m} (იხ. *სილიციუმჰალოგენიდები*), სილანებს Si_xH_y (იხ. *სილიციუმწყალბადები*) და ალკოქსისილანებს $Si(OR)_4$. თითქმის ყველა ს. ნ. უფერული სითხეა, მხოლოდ ზოგიერთი (მაგ., ციკლოსილოქსანები, $R_2SiO)_3$, მყარი კრისტ. ნივთიერებაა. ს. ნ. თერმულად მდგრადი (~600°C) ნივთიერებებია, გამოხდიან ატმ. წნევისა და ვაკუუმის პირობებში. კარგად იხსნება ნახშირწყალბადებში, ეთერებსა და სხვა ორგ. გამხსნელებში, წყალს არ ერევა; ადვილად ჰიდროლიზდება (განსაკუთრებით ორგანოქლორსილანები):



ჰიდროლიზის დროს წარმოქმნილი ორგანოჰიდროქსისილანები შედიან მოლეკულათშორის კონდენსაციის რეაქციებში, რ-ის დროსაც წარმოიქმნება ორგანოსილოქსანები:



რეაქციის დროს გამოყოფილი მჟავების ზეგავლენით მიმდინარეობს პოლიკონდენსაცია, რ-ის დროსაც წარმოიქმნება *სილიციუმორგანული პოლიმერები*. უმნიშ-

ვნელოვანეს ს. ნ-ს სამრეწვ.მასშტაბით ღებულობენ ალკილ (არილ) ქლორიდების უშუალო ურთიერთქმედებით სილიციუმთან სპილენძის თანაობისას; ლითონორგ. ნაერთებთან რეაქციებით, თერმული კონდენსაციით, თხევადფაზური დეჰიდროკონდენსაციით, ორგანოჰიდრიდქლორსილანების მიერთებით ჯერად ნაერთებთან. ალკოქსი- და აცილოქსისილანები მიიღება ორგანოქლორსილანების ურთიერთქმედებით სპირტებთან, მჟავებთან და ა. შ. ს. ნ-ს იყენებენ სილიციუმორგ. კაუჩუკებისა და სილიციუმორგ. სითხეების წარმოებაში და სხვ.

ლიტ.: Хананашвили Л. М., Андрианов К. А., Технология элементоорганических мономеров и полимеров, 2 изд., М., 1983.

სილიციუმორგანული პოლიმერები, *მაკრომოლეკულის* ელემენტარულ რგოლში სილიციუმის, ნახშირბადისა და სხვა ელემენტების ატომთა შემცველი მაღალმოლეკულური ნაერთები. ს. პ. ძირითადი ჯაჭვის ქიმ. აღნაგობის მიხედვით იყოფა

ხაზოვანი სილიციუმორგანული პოლიმერების ძირითადი ტიპები

სახელწოდება	მთავარი ჯაჭვის სტრუქტურა
პოლიმერები არაორგანული მთავარი ჯაჭვით:	
პოლიორგანოსილოქსანები	~ O– Si – O – Si ~
პოლიელემენტორგანოსილოქსანები	~ O – Si –O – ∃ ~
პოლიორგანოსილაზანები	~ Si – N – Si – N ~
პოლიორგანოსილთიანები	~ Si – S – Si – S ~
პოლიორგანოსილანები	~ Si – Si – Si ~
პოლიორგანოსილაზოქსანები . .	~ Si – O –Si – N – Si ~
პოლიმერები ორგანოარაორგანული მთავარი ჯაჭვებით:	
პოლიორგანოალკილენსილანები ...	~ Si – $(CH_2)n$ – Si ~
პოლიორგანოფენილენსილანები ...	~ Si – C_6H_4 – Si ~
პოლიორგანოალკილენსილოქსანები	~ Si – $(CH_2)n$ – Si – O ~
პოლიორგანოფენილენსილოქსანები	~Si – C_6H_4 – Si – O ~
პოლიორგანოფენილენალუმოსილოქსანები	~Si–C_6H_4–Si–O–Si–O–Al~
პოლიმერები ორგანული მთავარი ჯაჭვებით:	
პოლიალკენილსილანები . . .	Si R_3 | ~ CH_2– CH ~

* თუ ე ლითონია, პოლიმერებს უწოდებენ პოლიელითონორგანოსილოქსანებს.

სამ ძირითად ჯგუფად: 1. პოლიმერები მაკრომოლეკულათა არაორგ. მთავარი ჯაჭვით, ეს უკანასკნელი შედგება სილიციუმისა და სხვა ელემენტების (O, N, S, Al, Ti, B და სხვ.) მონაცვლეობითი ატომებისაგან. ამ შემთხვევაში ნახშირბადი შედის მხოლოდ მთავარ ჯაჭვთან დაკავშირებული ჯგუფების შედგენილობაში; 2. პოლიმერები მაკრომოლეკულათა ორგანოარაორგ. მთავარი ჯაჭვით, რ-ებიც შედგებიან სილიციუმისა და ნახშირბადის, ზოგჯერ კი ჟანგბადის მონაცვლეობითი ატომებისაგან; 3. პოლიმერები მაკრომოლეკულათა ორგ. მთავარი ჯაჭვით (იხ. ცხრ.) ყველაზე უფრო შეტად შესწავლილია და ფართოდ იყენებენ პოლიორგანოსილოქსანებს, პოლისილითონორგანოსილოქსანებსა და პოლიორგანოსილაზანებს. მთავარი პოლიმერული ჯაჭვის აღნაგობის მიხედვით ს. პ. შეიძლება დაიყოს ხაზოვან, განტოტვილ, ციკლოხაზოვან (კიბისებურ) და შეკერილ (მათ შორის ციკლობადური) პოლიმერებად.

პოლიორგანოსილოქსანები (სილიკონები). არამაღალ მოლეკულური მასის ხაზოვანი და განტოტვილი პოლიორგანოსილოქსანები ბლანტი უფერული სითხეებია. მაღალმოლეკულური ხაზოვანი პოლიორგანოსილოქსანები *ელასტომერებია*, ხოლო შეკერილი და განტოტვილი — ელასტიკური ან მყიფე მინისმაგვარი ნივთიერებები. პოლიორგანოსილოქსანებისათვის დამახასიათებელია მჟავებისა და ტუტეების მოქმედების მიმართ მედეგობა, აგრეთვე მაღალი თერმომედეგობა; ღებულობენ შემდეგი მეთოდებით: სილიციუმორგ. ნაერთების ჰიდროლიზური პოლიკონდენსაციით, ციკლური ორგანოსილოქსანების იონური პოლიმერიზაციით, სხვადასხვა ფუნქციური ჯგუფის შემცველი სილიციუმორგ. ნაერთების ჰეტეროფუნქციური პოლიკონდენსაციით და სხვ. პოლიორგანოსილოქსანებს იყენებენ სხვადასხვა ელექტროსაიზოლაციო მასალების, თერმომედეგი პლასტმასების, *სილიციუმორგანული წებოებისა* და სხვ. წარმოებაში. ტექ-ში ფართოდ იყენებენ *სილიციუმორგანულ კაუჩუკებს*.

პოლიელემენტორგანოსილოქსანები. პოლიმერსილოქსანურ ჯაჭვში ლითონის ატომების შეყვანა ძირეულად ცვლის პოლიმერების ფიზ. და ქიმ. თვისებებს. 3—10 ატომ სილიციუმზე 1 ატომი ლითონის შემცველი პოლიალუმოფენილსილოქსანი და პოლიტიტანფენილსილოქსანი გახურებისას არ რბილდებიან, ინარჩუნებენ ხსნადობას ორგ. გამხსნელებში. თვისებების ასეთი თავისებური შეხამება აიხსნება მაკრომოლეკულის კიბისებრი სტრუქტურით, მაკრომოლეკულას აქვს დიდი სიხისტე. ამიტომ მისი ლღობის ტემპ-რა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე დაშლისა. ბმა Si–O–ე ხასიათდება უფრო დიდი პოლარობით, ვიდრე Si–O–Si, რის შედეგადაც ეს პოლიმერები უფრო ადვილად იშლებიან წყლის ზემოქმედებით მჟავების თანაობისას, ვიდრე პოლიორგანოსილოქსანები. პოლიელემენტორგანოსილოქსანებს ღებულობენ მიმოცვლითი დაშლის რეაქციითა და ჰეტეროფუნქციური პოლიკონდენსაციით. ამ ნივთიერებებს იყენებენ წებოს, თვითმწებავი რეზინის, ლაქებისა და სხვ. დასამზადებლად, თბო- და თერმომედეგ მასალად და სხვ.

პოლიორგანოსილაზანები. ხაზოვანი პოლიმერები კარგად იხსნებიან ორგ. გამხსნელებში, მედეგნი არიან წყლის ზემოქმედების მიმართ ნეიტრალურსა და სუსტ ტუტე გარემოში, მჟავა გარემოში იშლებიან. ალკილქლორსილანების ამიაკთან ან პირველად ამინებთან ამონოლიზით ღებულობენ დაბალი მოლეკულური მასის პოლიმერებს. დიდი მოლეკულური მასის პოლიმერებს ღებულობენ ორგანოციკლოსილაზანების იონური პოლიმერიზაციით; იყენებენ სილიციუმორგ. პოლიმერების, ეპოქსიდური ფისების, პოლიმერული კომპაუნდების გამამყარებლად და სხვ.

პოლიორგანოალკილენსილანები. ამ პოლიმერებს ახასიათებს საკმაოდ მაღალი თერმომედეგობა, რადგანაც მათი პოლიმერული ჯაჭვი შეიცავს მხოლოდ Si – C და C – C ბმებს. ისინი განსხვავდებიან მაღალი ჰიდროლიზური მედეგობით ტუტეებისა და მჟავების ზემოქმედების მიმართ.

ლიტ.: Андрианов К. А., Кремний, М., 1968 (Методы элементоорганической химии).

სილიციუმორგანული წებო, *სილიციუმორგანული პოლიმერების* საფუძველზე დამზადებული კომპოზიციები. დანიშნულების მიხედვით ს. წ. სხვადასხვაგვარია: 1. ლითონებისა და თერმომედეგი არალითონური მასალების დასაწებებელი; 2. თბომედეგი რეზინების დასაწებებელი; 3. თბობგერათსაიზოლაციო მასალის ფოლადთან და ტიტანის შენადნობებთან შესაწებებელი.

პირველი ჯგუფის ს. წ-ს ამზადებენ სხვადასხვა სილიციუმორგ. პოლიმერების, შემვსებებისა (აზბესტი და სხვა არაორგ. მასალები) და გამამყარებლების (ზეჟანგები, ამინები და სხვ.) ურთიერთშერევით. წებოვან შეერთებას შუშაობის უნარი აქვს—60-იდან 1000°C ტემპ-რის ფარგლებში (რამდენიმე *სთ* განმავლობაში), მდგრადია დაძველების მიმართ. ლითონების დაწებებისას ამ ჯგუფის ყველა წებო წარმოქმნის მტკიცე, მაგრამ მყიფე შეერთებებს. მინატექსტოლიტის, გრაფიტისა და აზბესტცემენტის შეერთების სიმტკიცე ტოლია ან მეტია თითოეული დასაწებებელი მასალის სიმტკიცეზე.

მეორე ჯგუფის ს. წ-ს ამზადებენ *სილიციუმორგანული კაუჩუკების* ხსნარების საფუძველზე სხვადასხვა დანამატებით. ამ ჯგუფის წებოებს საფუძველზე მიღებული წებოვანი შეერთებანი უძლებენ ვიბრაციულ დატვირთვებს ტემპ-რათა ფართო დიაპაზონში, მედეგნი არიან ტრანსფორმატორის ზეთის, ნავთის, ტენისა და ატმოსფერული პირობების ზემოქმედების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ჯგუფის წებოებს იყენებენ მინის ქსოვილის, კერამიკისა და სხვ. დასაწებებლად.

მესამე ჯგუფის ს. წ-ს ამზადებენ მოდიფიცირებული სილიციუმორგ. პოლიმერების, ორგ. პოლიმერების, გამამყარებლებისა და ხშირად აქტ. შემვსებების ნარევისაგან. ამ წებოების სპეციფ. დამახასიათებელი თვისებაა თბობგერათსაიზოლაციო მასალის შეწებების უნარი გახურებისა და წნევის გარეშე.

ს. წ-ს განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან მწებავრე ლენტის დასამზადებელი კომპოზიციები, რ-ებიც შეიცავენ სილიციუმორგ. კაუჩუკებსა და სითხეებს. მათ იყენებენ ელექტროსაიზოლაციო ლენტებად.

სილიციუმფთორიდები, ფთორსილიკატები, *სილიციუმფთორწყალბადმჟავას* მარილები. დიდი პრაქტ. მნიშვნელობისაა ნატრიუმის ს. Na_2SiF_6, რ-ის მნიშვნელოვან რაოდენობას NaF-ის მისაღებად ამუშავებენ. ს-ს ღებულობენ H_2SiF_6 და ოქსიდების (ან მარილების) ურთიერთქმედებით. Mg, Zn-სა და Al-ის ს. წყალში კარგად იხსნება. მათ იყენებენ სამშენებლო ქვის პიდროფობიზაციისათვის. ყველა ს. (აგრეთვე H_2SiF_6) საწამლავია.

სილიციუმფთორწყალბადმჟავა, H_2SiF_6, ძლიერი არაორგანული მჟავა. არსებობს მხოლოდ წყალხსნარში. თავისუფალ მდგომარეობაში იშლება: $H_2SiF_6 = SiF_4 + 2HF$. ძლიერი სადეზინფექციო საშუალებაა; ძირითადად იყენებენ ს-ს მარილების — *სილიციუმფთორიდების*—მისაღებად.

სილიციუმწყალბადები, სილანები, სილიციუმის ნაერთები წყალბადთან. ცნობილია ნაჯერი ს., რ-ის ზოგადი ფორმულაა Si_nH_{2n+2}. ს. მიღებულია ოქტასილანამდე Si_8H_{18}. ოთახის ტემპ-რაზე პირველი ორი ს. (მონოსილანი SiH_4) და დისილანი Si_2H_6) აირადია, დანარჩენი აქროლადი სითხეებია. ს. არასასიამოვნო სუნის მომწამლავი და ჰაერზე თვითაალებადი ნივთიერებებია. ბუნებაში ს. არ მოიპოვება. მაგნიუმსილიციდზე განზავებული მჟავების მოქმედებით ღებულობენ სხვადასხვა ს-ის ნარევს.

სილიციუმჰალოგენიდები, სილიციუმის ნაერთები ჰალოგენებთან. ცნობილია შემდეგი ტიპის (X-ჰალოგენი) ს.: SiX_4, SiH_nX_{4-n} (ჰალოგენსილანები), Si_nX_{2n+2} და შერეული ჰალოგენიდები (მაგ. $SiClBr_3$). სილიციუმის ტეტრაფთორიდი, SiF_4 — მკვეთრი სუნის უფერული მომწამლველი აირი, $t_{დნ}$ —86°C, თერმულად მდგრადი, წყლით ადვილად ჰიდროლიზდება და წარმოქმნის *სილიციუმფთორწყალბადმჟავას*. სილიციუმის ტეტრაქლორიდი, $SiCl_4$—უფერული მომწამლველი სითხე, $t_{დნ}$ —70°C, $t_{დუღ}$ 57,6°C, სიმკვრივე 1480 *კგ/მ*^{3}, თერმულად მდგრადი, წყლით ადვილად ჰიდროლიზდება; მიიღება სილიციუმის ქლორირებით და სხვ. სილიციუმის ტეტრაბრომიდი, $SiBr_4$ — უფერული სითხე, $t_{დნ}$ 5°C, $t_{დუღ}$ 153°C. სილიციუმის ტეტრაიოდიდი, SiI_4 — თეთრი კრისტალები, $t_{დნ}$ 121°C, $t_{დუღ}$ 290°C.

ლიტ.: Лапидус И. И., Нисельсон Л. А., Тетрахлорсилан и трихлорсилан, М., 1970.

სილოგიზმი (ბერძნ. syllogismos), ტრადიციული ლოგიკის ტერმინი; გავრცელდა არისტოტელეს შრომებიდან. ნიშნავს იმასვე, რასაც დასკვნა. ს. „არის გამონათქვამი, რ-შიც, თუ რაიმე ნავარაუდევია, მაშინ მისგან აუცილებლობით გამოდის ნავარაუდევისაგან განსხვავებული რამ იმის გამო, რომ ნავარაუდევი არის“ (არისტოტელე, პირველი ანალიტიკა, 24b, 15—20). ტრადიციულ ლოგიკაში საგანგებო შესწავლის საგანი იყო კატეგორიული, პირობითი ანუ ჰიპოთეზური და გაყოფითი ს-ები. არისტოტელე იკვლევდა აგრეთვე მოდალურ ს-ს. ს. კატეგორიულია, თუ მასში ორი მარტივი კატეგორიული დებულებიდან (წანამძღვრებიდან) გამოდის მესამე (დასკვნა), ოღონდ ისე, რომ წანამძღვრები შეიცავს ერთ საერთო ე. წ. საშ. ტერმინს, ხოლო დასკვნაში დაკავშირებულია სხვადასხვა წანამძღვრებში შემავალი ორი დანარჩენი ტერმინი. მაგ., „ყველა ადამიანი არის მოკვდავი არსება; ყველა ქართველი არის ადამიანი; მაშასადამე, ყველა ქართველი არის მოკვდავი არსება“. სხვა ს-ების სწორი ანუ გამართული სახეებიდან აღსანიშნავია პირობით-კატეგორიული ს-ები — modus ponens-ი („თუ ქრის ქარი, მაშინ ხეებზე ფოთლები შრიალებენ; ქრის ქარი, მაშასადამე, ხეებზე ფოთლები შრიალებენ“) და modus tollens („თუ ქრის ქარი, მაშინ ხეებზე ფოთლები შრიალებენ; ხეებზე ფოთლები არ შრიალებენ, მაშასადამე, არ ქრის ქარი“) — პირობით-გაყოფითი ს. — *დილემა*.

ლიტ. იხ. სტ-თან სილოგისტიკა.

ლ. მჭედლიშვილი.

სილოგისტიკა, ფორმალურ-ლოგიკური თეორია კატეგორიული სილოგიზმის გამართული საბუთების (მოდუსების) შესახებ (იხ. *სილოგიზმი*); პირველად შეიმუშავა არისტოტელემ „პირველ ანალიტიკაში“. *ტრადიციულ ლოგიკაში* ეკავა უმთავრესი ადგილი, თუმცა არსებითად შეიცვალა მისი აგების პრინციპები. პოლ. ლოგიკოსმა ი. ლუკასიევიჩმა დაადგინა, რომ ს-ის არისტოტელესეული მოძღვრება აქსიომატური თეორია იყო. თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, ს. პირველი საფუძვლის *პრედიკატთა ლოგიკის*, უფრო ზუსტად, კლასთა თეორიის ფრაგმენტია. არისტოტელეს მოდალური ს-ის საყოველთაოდ მიღებული რეკონსტრუქცია დღესდღეობით არ არსებობს.

ლიტ.: ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 4, ობ., 1978; Аристотель, Соч., т. 2, М., 1978; Гильберт Д., Аккерман В., Основы теоретической логики, пер. с нем., М., 1947; Лукасевич Я., Аристотелевская силлогистика с точки зрения современной формальной логики, пер. с англ., М., 1959; Симпозиум по логике Аристотеля (Тезисы докладов), Тб., 1983.

ლ. მჭედლიშვილი.

სილოე (Siloé) დიეგო დე (დაახლ. 1495, ბურგოსი, — 22. X. 1563, გრანადა), ესპანელი არქიტექტორი და მოქანდაკე. ვარაუდობენ, რომ იყო მოქანდაკე ხილ დე სილოეს შვილი და მოწაფე. 1519-მდე მუშაობდა იტალიაში, სადაც განიცადა მიქელანჯელოს გავლენა. ს-ს ხუროთმოძღვრულ ნამუშევრებში (ტაძარი გრანადაში, 1528 და სხვ.) გოთიკური ტრადიციები შერწყმულია ორდერულ ელემენტებთან. მაღალი რენესანსის პრინციპებთან სიახლოვე ჩანს ს-ს სკულპტურულ ნამუშევრებში (სან-ბენიტოს ეკლესიის პატრონიკეს რელიეფები ვალიადოლიდში).

სილოსასაღები კომბაინი, მანქანა, რ-იც ერთდროულად თიბავს, აქუცმაცებს და სატრანსპორტო საშუალებაში ტვირთავს სასილოსე კულტურებს. მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე სენაჟის, მწვანე საკვების, ბალახის ფხვნილის დასამზადებლად. სამკალის მჭრელი აპარატი (ნახ.) ჭრის ღეროებს, ტარაბუა აწყობს მათ მიმწოდ ტრანსპორტიორზე, რ-იც ღეროებს მკვებავი აპარატის ზედა და ქვედა ვალცებს აწვდის. ვალცები ჩაიჭერს ღეროებს, ამჭიდროებს მათ და საქუცმაცებელი აპარატის უკუმჭრელ ფირფიტას გადასცემს. დანებიანი დოლი უკუმჭრელ ფირფიტებთან ერთად ჭრის ღეროებს, რ-ებიც გადმოსატვირთავ ტრანსპორტიორზე იყრება. უკანასკნელი დაქუცმაცებულ მასას სატრანსპ. საშუალებაზე ტვირთავს. ს. კ. არის მისაბმელი და თვითმავალი. მას მართავს ტრაქტორისტი ან თვითმავალი შასის მძღოლი; მწარმოებლურობა— 0,6—1,5 *ჰა/სთ*.

სილოსი [ესპ. silos (მრ. რ.)<silo (მხ. რ.) —მიწისქვეშა შენობა მარცვლეულის შესანახად), წვნიანი საკვები, რ-საც ამზადებენ უპაეროდ დაკონსერვებით (იხ. *დასილოსება*). ნედლეულის მიხედვით განასხვავებენ სიმინდის, კარტოფილის, მზესუმზირას, ცერცველა-შვრიისა და სხვ. ს-ს. ყუათიანობით ს. ახლოსაა დასასილოსებელ მასასთან. მასში შენარჩუნებულია კაროტინი და C ვიტამინი, რამდენადმე ნაკლები რაოდენობით შეიცავს წყალში ხსნად შაქრებს, მის შედგენილობაშია აგრეთვე ორგ. მჟავები — რძემჟავა (2%-მდე), ძმარმჟავა (0,6%-მდე). ზოგიერთი სახის ს-ში არის პროპიონმჟავა, ვალერიანმჟავა და სხვ. დასილოსების ტექნოლოგიის დარღვევისა და არასწორი შენახვის შემთხვევაში ს-ში შეიძლება აღმოჩნდეს ერბომჟავა. ს-ის საკვები ღირებულება დამოკიდებულია მცენარის სახეობაზე, გათიბვის მომენტში მცენარის განვითარების ფაზაზე, დამზადების ტექნოლოგიასა და შენახვის პირობებზე. კარგი ს. ღია მწვანე ან მოყვითალოა; ძლიერ ჩახურებული— მუქი ყავისფერია, დამჟავებული კომბოსტოს სუნი აქვს. სტრუქტურულად ს. ფაშარი უნდა იყოს, თუ იგლისება — გაფუჭებულია. ს-ით კვება აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხელს უწყობს სხვა საკვების (განსაკუთრებით უხეში საკვების) უკეთ შეთვისებას. ს-ით კვებავენ ყველა სას.-სამ. ცხოველს, განსაკუთრებით ზამთარში, ხოლო ზოგიერთ გვალვიან რ-ნში — ზაფხულშიც.

სილოსსათავსი, ნაგებობა *სილოსის* მასის ჩასაყრელად და შესანახად. მისი ძირითადი დანიშნულებაა სილოსის დაცვა ატმოსფეროს ჰაერისაგან და წყლის ზეგავლენისა და გაჟინვისაგან. ს-ს აშენებენ არხების, ორმოებისა და კოშკების სახით, საქართვ. პირობებში უფრო გავრცელებულია სილოსის არხებში შენახვის წესი. ს-ს უმთავრესად მეცხოველეობის ფერმების საკვების დამამზადებელი საამქროების მახლობლად, ტრანსპორტისათვის მისადგომ, რელიეფის ამაღლებულ ადგილზე აშენებენ, რათა ადვილი იყოს სილოსის დაცვა ზედაპირული წყლების საზიანო მოქმედებისაგან. ს. შეიძლება იყოს გრუნტში ჩაღრმავებული, ნახევრად ჩაღრმავებული და მიწისზედა. ს-ის სიგრძე-სიგანე განისაზღვრება შესანახი მასის რაოდენობით; მოცულობის მხრივ მერყეობს 250-იდან 3000 *ტ*-მდე. ს-ის ფსკერისა და კედლებისათვის ძირითადად იყენებენ ბეტონს (მონოლითურსა და ასაწყობს), აგურს, რიყის ქვას. ს-ში სილოსის ჩატკეპნის შემდეგ ჰერმეტულობისათვის ზედაპირს ზოგჯერ სინთეზური მასალისაგან დამზადებული აპკით ფარავენ და ჩაყინვის საწინააღმდეგოდ ნამჯისა და ბის საფარს ადებენ.

ზ. ჯანელიძე.


სილოსსატვირთველი, მანქანა, რ-იც სილოსსა და სენაჟს იღებს მიწის ზედა საცავებიდან, ერთხელ კიდევ აქუცმაცებს და ტვირთავს ტრანსპორტზე ან საკვებსარგებელში. მისი გამოყენება შეიძლება თივისა და ნამჯის დასატვირთადაც. სსრკ-ში უშვებენ ფრეზის ტიპის ს-ს, რ-საც 1,4 *ტ* კლასის ტრაქტორზე ჰკიდებენ. ს-ის ძირითადი მუშა ორგანოები — ფრეზდოლები (ჰიდროცილინდრით ზვინზე აწეული) ბრუნავს და თანდათანობით ეშვება. დაშვების პროცესში ჭრის სილოსის ფენას და აგდებს მიმღებ ჩამჩაში, რ-შიც შნეკი სილოსს საფანტელასაკენ გადააადგილებს. საფანტელას როტორის ფრთები ჩაიჭერს სილოსს და გადმოსატვირთავი მილით სატრანსპ. საშუალების ძარაში ჭრის. ს-ის მწარმოებლურობაა 17 *ტ/სთ*-მდე სილოსი.

სილუეტი [ფრანგ. silhouette <ფრანგი მინისტრის ე. დე სილუეტის (Silhouette) გვარიდან, რ-ის კარიკატურაც ჩრდილოვანი პროფილის სახით დახატეს], ფართო მნიშვნელობით — საგანთა დამახასიათებელი მოხაზულობა როგორც ბუნებაში, ისე ხელოვნებაში, რ-იც შორი მანძილიდან აღიქმება. ვიწრო მნიშვნელობით— გრაფ. ტექნიკის სახეობა: ფიგურათა და საგანთა ერთფერი, სიბრტყითი, კონტურული გამოსახულება, დახატული (ან ქაღალდისაგან გამოჭრილი და დაკრული) სხვა ფერის ფონზე. ს-ის ხელოვნება უძველესი დროიდან იყო ცნობილი ჩინეთში, იაპონიაში და აზიის სხვა ქვეყნებში. XVIII ს-იდან გავრცელდა ევროპაში (ა. მენცელი, პ. კონევკა — გერმანიაში; თ. ტოლსტოი, ე. ბემი, გ. ნარბუტი— რუსეთში).

სილუეტური ფილმი, მულტიპლიკაციური ფილმი, რ-შიც მოქმედებენ სილუეტური ტექნიკით შესრულებული, ჩვეულებრივ, შავი ქაღალდისაგან გამოჭრილი პერსონაჟები. ს. ფ-ში ფიგურებს ამოძრავებენ თეთრ ან მოხატულ ბრტყელ ფონზე გადაადგილებით და ამ გადაადგილების ყოველ ფაზას აფენებენ ფირზე.



დ. დე სილოე. „იოან ნათლისმცემლის თავის მოკვეთა“. პატრონიკეს რელიეფი სან-ბენიტოს ეკლესიიდან. ვალიადოლიდი. ხე. XVI ს. I ნახევარი. რელიგიური ქანდაკების ეროვნული მუზეუმი. ვალიადოლიდი.



სილოსასაღები კომბაინი. სილოსასაღები კომბაინის უმარტივესი სქემა: 1—გადმოსატვირთი ტრანსპორტიორი; 2—დანებიანი დოლი; 3—საქუცმაცებელი აპარატის გარსაცმი; 4—სამკალის ტარაბუა; 5—სასილოსე კულტურის ღეროები; 6—სამკალის მჭრელი აპარატი; 7—სამკალის მიმწოდი ტრანსპორტიორი; 8—მკვებავი აპარატის ქვედა ვალცი; 9—საქუცმაცებელი აპარატის უკუმჭრელი ფირფიტა; 10—სავალი სისტემა.

სილურული სისტემის სტრატიგრაფიული დაწაწილების სქემა

სექცია	სართული
ზედა	პრიდოლური
	ლუდლოური
ქვედა	უენლოკური
	ლანდოველიული

პირველი ს. წ. გერმანიაში გადაიღეს 20-იან წლებში. ს. წ-ის დარგში მუშაობას განაგრძობენ გდრ-ის მულტიპლიკატორები.

სილუმინი [ლათ. Silicium — სილ (იციუმი) და Aluminium — (ალ)უმინი], ალუმინის ფუძეზე დამზადებული სამსხმელო შენადნობების საერთო სახელწოდება. ს. შეიცავს 4—13% Si (ზოგიერთი მარკა 23%-მდე). სასურველი ტექნოლ. და საექსპლუატაციო თვისებების მისანიჭებლად ს-ს ალეგირებენ Cu, Mn, Mg, ზოგჯერ — Zn, Ti, Be და სხვა ლითონებით. ს-ს ახასიათებს მაღალი სამსხმელო და საკმაოდ კარგი მექან. თვისებები. მისი ღირსებაა მაღალი კოროზიამედეგობა ტენიან და ზღვის ატმოსფეროში. ს-ს იყენებენ რთული კონფიგურაციის დეტალების დასამზადებლად (ძირითადად ავტო- და ავიამშენებლობაში). სსრკ-ში უშვებენ АЛ 2, АЛ 4, АЛ 9 და სხვა მარკის ს-ს იხ. აგრეთვე *ალუმინის შენადნობები*.

სილურული სისტემა (პერიოდი), პალეოზოური ჯგუფის რიგით მესამე სისტემა (გეოლ. წელთაღრიცხვის პალეოზოური ერის მესამე პერიოდი). მოსდევს ორდოვიციულ სისტემას (პერიოდს) და წინ უსწრებს დევონურ სისტემას (პერიოდს). აბსოლ. გეოქრონოლოგიით ს. პ. დაიწყო 440 მლნ. წ წინათ და გრძელდებოდა დაახლ. 30 მლნ. წ. ს. ს. დაადგინა რ. მერჩისონმა 1835 დიდ ბრიტანეთში. ს. ს. იყოფა ორ სექციად და ოთხ სართულად (იხ. ცხრ.)

ს. პ-ის დასაწყისში აღინიშნა დედამიწის ქერქის მნიშვნელოვანი დაძირვა და გლობალური ტრანსგრესია, თუმცა არსებობდა მეტ-ნაკლებად სტაბილური უბნები და კუნძულის ტიპის აზევებებიც. ს. პ-ის ბოლოს დასრულდა *კალედონიური დანაოჭება*; წარმოიქმნა გონდუანა. ს. პ-ის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა უხერხემლოთა ყველა ძირითადი კლასი. ს. პ-ში გაჩნდა პრიმიტიული ხერხემლიანები და პირველი ხმელეთის ფლორა. ს. ს-ის ნალექები ძირითადად ტერიგენულია, მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება აგრეთვე წყალქვეშა ვულკ. ამოფრქვევების პროდუქტებიც. ს. ს-ის ნალექები ყველა კონტინენტზეა გავრცელებული (ანტარქტიდის გარდა).

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ო. ბუცხრიკიძე.

სილფონი (<ინგლ. საფირმო სახელწ. Sylphon), თითბრის, უჟანგავი ფოლადის ან ბერილიუმიანი ბრინჯაოს თხელკედლიანი გოფრირებული მილი ან კამერა. მუშაობს როგორც ზამბარა გაჭიმვაზე ან კუმშვაზე; ფართოდ იყენებენ პნევმო- და ჰიდროავტომატიკაში მგრძნობიარე ელემენტად, მილსადენში ტემპ-რული წაგრძელების კომპენსატორისა, სხვადასხვა გარემოს დრეკად გამყოფად და ა. შ.

სიმანე, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-დას. ნაწილში. ფართ. 6,6 ათ. კმ². მოსახლ. 788 ათ. კაცი (1982), აქედან ნახევარზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. მაცუე. ს. ეკონომიკურად იაპ. ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებგანვითარებული პრეფექტურაა. ეკონ. მთავარი დარგებია სოფ. მეურნ. და თევზჭერა. მოჰყავთ უმთავრესად ბრინჯი. განვითარებულია მებოსტნეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა. სახორცე-სარძეო მეცხოველეობა. ხე-ტყის დამზადება. იღებენ სპილენძის, ტყვიის, მოლიბდენის მადანს, რკინიან ქვიშას, დარიშხანას, თაბაშირს. არის მეტალ., საფეიქრო, კვების, ცელულოზა-ქაღალდის, ხის დასამუშ. მრეწვ. საწარმოები. ტრად. მხატვრული ხელოსნობა (კერამ., მხატვრულ ნაკეთობათა დამზადება). ეროვნ. პარკები. ტურიზმი.

„სიმართლე“, ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოც.-დემოკრ. (მენშევიკური) მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1906 წ. 1 ივლ.-დან 14 ივლ.-მდე. შეცვალა გაზ. „ლამპარი“. რედ. — ვ. დარჩიაშვილი. „ს-ს“ პოლემიკა ჰქონდა ბოლშევიკურ გაზ. „ახალ ცხოვრებასთან“. დაიხურა თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

„სიმართლის გზა“, ქართული ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1917; რედ.-გამომცემლები — ი. ჭყონია და ა. სონღულაშვილი. გაზეთს მიზნად ჰქონდა ცოფილიყო საერო ცხოვრებისა და მწერლობის ერთგვარი დღიური; იბრძოდა პარტიებს შორის შეთანხმებისათვის, აგრეთვე ყველა მეზობელ ქვეყანასთან, სამშვიდობო კავშირის დამყარებისა და ომის თავიდან აცილებისათვის.

ი. ლორთქიფანიძე.










სილურული სისტემა (პერიოდი). დამახასიათებელი ორგანიზმები: 1—პელეციპო და Cardiola interrupta; 2—თავფეხიანი მოლუსკი Endoceras vaginatum; 3—მარჯანი Favosites gothlandicus; 4—გრაპტოლითი Retiolites geinitzianus.

ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲞᲐᲚᲔᲝᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ



ხმელეთი
ზღვა ბაქნებზე
ზღვა გეოსინკლინებში
წითელი კონტინენტური ნალექების დაგროვების ადგილი
ეოლიანებში
მყინვარული ნალექები
თაბაშირიანი, ანჰიდრიტიანი და მარილებიანი ნალექების დაგროვების ადგილი
ბაქნების საზღვრები

„სიმართლის ხმა“, ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოც.-დემოკრ. მიმართულებისა. გამოდიოდა ქუთაისში 1913 — 14, გაზ. „თანამედროვე ქვეყნის“ ნაცვლად, მისი დროებით აკრძალვის პერიოდში. გამოიცა სულ 73 ნომერი. რედ.-გამომცემელი — ლ. ბუაჩიძე. გაზეთის გამოცემა რამდენჯერმე შეწყდა და საბოლოოდ 1914 მარტში დაიხურა.

„სიმართლის ხმა“, ქართული ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდიოდიდა თბილისში 1923—24. საბჭ. პლატფორმაზე გადმოსული ყოფილი მენშევიკების ორგანო, გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. გამოვიდა 41 ნომერი.

სიმაღლე გეოდეზიაში, მანძილი შვეული მიმართულებით დედამიწის ფიზიკური ზედაპირის წერტილიდან რომელიმე სასიმაღლო საფუძვლამდე. განარჩევენ: გეოდეზიურ (სასიმაღლო საფუძველი — რეფერენც-ელიფსოიდი), ორთომეტრულ (სასიმაღლო საფუძველი — გეოიდი), ნორმალურ (სასიმაღლო საფუძველი — კვაზიგეოიდი), პირობით (სასიმაღლო საფუძველი—რომელიმე პირობითი ზედაპირი) და ფარდობით (ერთი წერტილის აღმატება მეორის მიმართ) ს-ებს. იხ. აგრეთვე სტ. *გეოდეზია*.

სიმაღლე გეომეტრიაში, პერპენდიკულარის მონაკვეთი, დაშვებული გეომეტრიული სხეულის წვეროდან (მაგ., სამკუთხედის, პირამიდის, კონუსის) მის ფუძეზე ან ფუძის გაგრძელებაზე, აგრეთვე ამ მონაკვეთის სიგრძე. პრიზმის, ცილინდრის, სფერული ფენის, ფუძის პარალელურად წაკვეთილი პირამიდისა და კონუსის ს.— მანძილი ზედა და ქვედა ფუძეებს შორის (იხ. ნახ.). ნებისმიერი სამკუთხედის სამივე ს. ან ის წრფეები, რ-ებზეც ისინი მდებარეობენ, გადაიკვეთება ერთ წერტილში, რ-საც *ორთოცენტრს* უწოდებენ.

სიმაღლე ციური სხეულისა, კუთხე მნათობზე მიმართულებასა და ჭეშმარიტი ჰორიზონტის სიბრტყეს შორის. იხ. *ცის კოორდინატები*.

სიმაღლებრივი სარტყლურობა, სიმაღლებრივი ზონალურობა, ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების ვერტიკალური ცვალებადობა მთიან მხარეებში, რაც გამოწვეულია ტროპოსფეროში სიმაღლის ზრდის შესაბამისად ჰაერის სიმკვრივის, ტემპ-რის, ტენისა და მტვრის შემცველობის ცვლილებით. სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება მზის რადიაცია, ატმ. წნევა ყოველ 11—15 *მ* სიმაღლეზე კლებულობს 133 *ნ/მ²*-ით (1 *მმ ვწყ. სვ.*), ჰაერის ტემპ-რა ყოველ 1000 *მ*-ზე 5—6°C-ით ეცემა, ხოლო ატმ. ნალექები გარკვეულ სიმაღლემდე მატულობს, შემდეგ კი კლებულობს და სხვ. ამის გამო მთიან მხარეებში სიმაღლის ზრდასთან ერთად შეიმჩნევა ლანდშაფტის გეომორფოლ., ჰიდროკლიმ. და ბიოლ. კომპონენტების ვერტ. ცვლილებები. ტროპ. სარტყლების ნოტიო, თანაბარი თერმული რეჟიმის მქონე ჰავა მთიან მხარეებში განაპირობებს ვერტ. სარტყლების მეტ რაოდენობას და მაღალ დონეს. პოლუსებისაკენ აციევების გამო ვერტ. სარტყლები დაბლა ეშვება და ქვედა სარტყლები ქრება კიდეც. მაგ., ცენტრ. ანდებში (ს. გ. 28°) არის ნახევარუდაბნოების, მთის სტეპის, ნოტიო ეკვატორული ტყის, ტროპ. ტყის, სუბალპ. და ალპ. მდელოების და ნივალური სარტყლები, თოვლის მიჯნა 5600—6500 *მ* სიმაღლეზე მდებარეობს; პატაგონიის ანდებში (ს. გ. 39°-ის სამხრ-ით) ვერტ. სარტყლები მხოლოდ წიწვოვანი, შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეებით იწყება, თოვლის მიჯნა 1000—1200 *მ*-მდე ეშვება. ს. ს. დამოკიდებულია აგრეთვე მთის კალთების ექსპოზიციაზე, გაბატონებულ ქარებზე და სხვ.

სიმაღლის ავადმყოფობა, ავადმყოფური მდგომარეობა, რ-იც ვითარდება დიდ სიმაღლეზე (3000 *მ* ზემოთ) ასვლისას შესუნთქულ ჰაერში ჟანგბადის პარციალური წნევის დაქვეითების შედეგად. ს. ა. დაკავშირებულია ცალკეული ორგანოსა და სისტემის, პირველ რიგში ცენტრ. ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილების უჯრედების ფუნქციის დარღვევასთან, რაც ჟანგბადის უკმარისობით (*ჰიპოქსია*) არის გამოწვეული. 3000 *მ*-მდე სიმაღლეზე ასვლისას ჯანმრთელ ადამიანში ჰიპოქსიის კომპენსაცია ხდება ფილტვების ვენტილაციის გაძლიერებით (სუნთქვის გახშირება, მისი სიღრმის მომატება), სისხლის ნაკადის დინების აჩქარებით, სისხლში ერითროციტებისა და ჰემოგლობინის მომატებით. უფრო დიდ სიმაღლეზე ასვლისას ჰიპოქსია მატულობს, რადგან ორგანიზმის ფუნქციები ვეღარ უზრუნველყოფს მისთვის საკმარის კომპენსაციას. ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობის შედეგად კლებულობს ჟანგბადის პარციალური წნევა ფილტვებში და სისხლის მომარაგება ჟანგბადით. ს. ა-ის ნიშნებია ქოშინი, გულისცემის აჩქარება, თავბრუ, ყურებში ხმაური, თავის ტკივილი, გულისრევა, მხედველობის დარღვევა, ძილიანობა და სხვ.

მკურნალობა: სიმაღლიდან დაბლა ჩამოსვლა, სიმშვიდე, საგულე საშუალებანი, მაგარი ჩაი ან ყავა; მძიმე შემთხვევებში — ჟანგბადის შესუნთქვა.

ს. ა-ის ნაირსახეობაა მთის დაავადება, რ-ის განვითარებაში ჟანგბადის ნაკლებობასთან ერთად მნიშვნელობა აქვს ფიზ. დაღლას, გაცივებას, ულტრაიისფერ გამოსხივებას და სხვ. მთის აკლიმატიზაციასთან ერთად (დაახლ. 3 კვირა) მთის დაავადების სიმპტომები ნელ-ნელა ქრება.

სიმაღლის საზომი (საავიაციო), *ალტიმეტრი*, საფრენი აპარატის ფრენის სიმაღლის გასაზომი აპარატი. განასხვავებენ ბარომეტრულ ს. ს-ს და *რადიოსიმაღლესაზომს*. ბარომეტრული ს. ს-ის მოქმედების პრინციპი ემყარება ატმ. წნევის ფრენის სიმაღლესთან ცალსახა დამოკიდებულებას; წნევას იღებს ს. ს-ის ანეროიდული კოლოფი. მისი დეფორმაცია, რ-იც პროპორციულია წნევისა, მასშასადამე, ფრენის სიმაღლისაც, ბერკეტების სისტემის მეშვეობით გადაადგილებს ხელსაწყოს ისარს (იხ. *ანეროიდი*). ხელსაწყოს სკალა გრადუირებულია კილომეტრებში, ასეულ და ათასეულ მეტრებში (სიმაღლის). ს. ს. შეიძლება დავაყენოთ აბსოლ. სიმაღლის (სიმაღლე დონის მიხედვით, რ-ზეც წნევა 1 *ატმ*-ა, ხოლო ტემპ-რა 15°C), ფარდობითი სიმაღლის (სიმაღლე აფრენის ადგილის მიმართ) და ჭეშმარიტი სიმაღლის (სიმაღლე ამ ადგილის მიმართ, რ-საც გადაუფრენს საფრენი აპარატი) ჩვენებაზე.


სიმა ციანი (დაახლ. ძვ. წ. 145 ან 135—დაახლ. ძვ. წ. 86), ძვ. ჩინელი ისტორიკოსი, ჩინ. პირველი კრებითი ისტორიის „ში ძის“ („ისტორიული ჩანაწერები“) ავტორი. ხანთა სამეფო კარის მთავარი ისტორიოგრაფის სიმა ტანის ვაჟი. 108 მემკვიდრეობით მიიღო მამის თანამდებობა და მის მიერ შეკრებილი მასალა. დიდი შრომის შედეგად ძვ. წ. I ს. 90-იან წლებში დაასრულა თავისი გრანდიოზული შრომა. „ში ძი“ შედგება 130 თავისაგან და მოიცავს ჩინ. ისტორიას უძველესი დროიდან ძვ. წ. II ს. დასასრულამდე. ს. ც-მა (ჩინეთში) პირველმა გამოიყენა კომპლ. პრინციპი, რ-იც გულისხმობს მოვლენების ქრონოლოგიურ აღწერას („ანალებს“), საზ-ბის ცხოვრების სხვადასხვა მხარის თემატურ გაშუქებას („ტრაქტატებს“) და ბიოგრაფიების ჟანრს.

სიმახინჯე, ტერატომა (ბერძნ. teras, ნათ. ბრ. teratos — მახინჯი და ...ომა), მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმთა განვითარების ანომალია, ორგანიზმის ან მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთკავშირის დარღვევა, რ-იც აღმოცენებულია ონტოგენეზის პროცესში. ს. ვითარდება სხვადასხვა შინაგანი (მემკვიდრეობითი და ჰორმონული მოშლილობა, სასქესო უჯრედების არასრულფასოვნება და სხვ.) და გარეგანი (ვირუსული ინფექცია, ჰიპოქსია, მაიონიზებელი გამოსხივება, ტემპ-რული, ზოგიერთი ქიმ. ნივთიერების და სამკურნ. პრეპარატის ზემოქმედება და სხვ.) ფაქტორის გავლენით. ს-ის განვითარებას საფუძვლად უდევს აგრეთვე ონტოგენეზის პროცესში ქსოვილთა განვითარების მოშლა-დიზონტოგენეზი. ხშირად ს. დაკავშირებულია სქესთან. მაგ., ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა უმეტესად გვხვდება გოგონებში, ხოლო შარდის ბუშტის დივერტიკული, გულის თანდაყოლილი მანკი—ვაჟებში. ზოგჯერ ერთდროულად მოქმედებს ს-ის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი, რაც განაპირობებს ს-ის ნაირსახეობას. ს. სხვადასხვაგვარია: ორგანოებისა და მათი ნაწილების განუვითარებლობა (ჰიპოგენეზია), ჭარბი განვითარება (ჰიპერგენეზია), ორგანოების ან მათი ნაწილების უქონლობა (აგენეზია), ორგანოების არასწორი მდებარეობა ან ფორმირება და სხვ. ფუნქციური მოშლილობის სიმძიმის მიხედვით განარჩევენ ს-ს, რ-იც ადრე, ემბრიონულ პერიოდში, უფრო ხშირად მუცლად ყოფნის პირველი 2 თვის მანძილზე იწვევს ნაყოფის სიკვდილს, როდესაც შენარჩუნებულია ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობა, მაგრამ მისი არსებობა დედის საშვილოსნოს გარეშე შეუძლებელია (ასიმეტრიული ტყუპები, გულის, ნერვული, სასუნთქი, გამომყოფი სისტემების ზოგიერთი ს.); ს., რ-იც არ ახდენს გავლენას ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობაზე (კიდურების ს., მგლის ხახა, კურდღლის ტუჩი და სხვ.) და ა. შ. ს. შეიძლება იყოს ერთობითი, რაც დაკავშირებულია ნაყოფის ფორმირების პროცესის დარღვევასთან, და ორობითი, რასაც საფუძვლად უდევს ორი ან მეტი ნაყოფის განვითარება. ერთობითს განეკუთვნება აკრანია (თავის ქალას უქონლობა), ანენცეფალია (თავის ტვინის უქონლობა), ამელია (კიდურების უქონლობა), პოლიდაქტილია (თითების სიმრავლე), სინდაქტილია (თითების სიმცირე), სირენა (ქვედა კიდურები ისეა შეერთებული, რომ თევზის კუდს მოგვაგონებს), ციკლოპია (ერთი თვალი შუბლის ცენტრში) და სხვ. ორობით ანუ „გაუყოფად“ ს-ს განეკუთვნება ტყუპები; იმისდა მიხედვით, თუ სხეულის რომელი ადგილით არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული, ეწოდებათ თორაკოპაგები (მკერდით შეზრდილები), პიგოპაგები (კიდურებით შეზრდილები) და სხვ. ს-ის პროფილაქტიკა: ნაყოფის ანტენატალური დაცვა.

უ. გაბუნია.

მცენარეთა ს. მემკვიდრული ან არამემკვიდრულია, შეიძლება განვითარდეს *პოლიპლოიდიის*, ანეუპლოიდიის, ჰაპლოიდიის, პეტეროზისის, აპომიქსისის, ინცუხტის, შორეული ჰიბრიდიზაციის, ქიმ. და ფიზ. ზემოქმედების, ტემპ-რის და ფოტოპერიოდის ცვლის და სხვათა შედეგად. მის განვითარებას საფუძვლად უდევს უჯრედთა დაყოფის სიხშირისა და ხანგრძლივობის, მათი განწყობისა და დიფერენცირების დარღვევა.

უმაღლეს მცენარეებში გვხვდება ფესვის, ფოთლის, კვირტის, ყლორტის, ყვავილის, ყვავილედის, ნაყოფისა და თესლის ს. უფრო ხშირად ირღვევა ორგანოთა ზომები და ფორმა, მათი ურთიერთგანლაგება, ფორმირების ტემპები და ვადები. ხშირია მცენარეთა და მათი ორ-



სიმაღლე გეომეტრიაში: სამკუთხედის (ა, ბ), ტრაპეციისა (გ) და წაკვეთილი კონუსისა (დ) სიმაღლეები (h).



სიმახინჯე. ადამიანის პოლიდაქტილია: მარცხნივ—ხელის მტევნის გაორება, თითების რაოდენობა გადიდდა 6-მდე, მარჯვნივ—ახალშობილის ხელის მტევნის ჩონჩხი. მე-4 და მე-5 თითები გაორებულია.

განოების გიგანტიზმი ან დაკნინება, ბუთხუზა ყვავილების განვითარება, *ფასციაცია*, *პროლიფიკაცია*, „ქაჯის ცოცხები“, „ცოცხლადშობა“ („ვივიპარია“) და სხვ. ცნობილია აგრეთვე ქსოვილებისა და ქსოვილთა სისტემების (მაგ., ქსილემის, ფლოემის), უჯრედთა ორგანელების (ბირთვის, მიტოქონდრიის) ს-ები. ს-ების შესწავლის ამოცანაა სხვადასხვა ფორმის ს-ის გამოყენება სელექციაში, ხემცენარეთა გიგანტური და სწრაფმზარდი ფორმების გამოყვანა, საზიანო ს-ების შეზღუდვა. ს-ების შესწავლამ შესაძლოა მოგვცეს აგრეთვე მნიშვნელოვანი მასალა ევოლ.-მორფოლ. საკვანძო საკითხების გადაჭრისათვის. *Ზ. ლვინიანიძე.*

ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ს ს. გვხვდება თითქმის ყველა სისტემატიკურ ჯგუფში. ცნობილი ს-ებია მისაწოვრების რაოდენობის გაზრდა, შემცირება ან გაქრობა თასმისებურ ჭიებში, სხეულის გაორება რგოლოვან ჭიებში, სხეულის სეგმენტების შეზრდა, კიდურების განვითარება თვალების ნაცვლად მწერებში, აცეფალია ქვეწარმავლებში, მრავალი კიდურის წარმოქმნა ამფიბიებში, ანოფთალმია ან მიკროფთალმია (ერთი ან ორივე თვალის განუვითარებლობა) ძუძუმწოვრებში, სხეულის გაორება ძროხებში და სხვ. ს. შეიძლება გამოიწვიოს ემბრიონული განვითარების დროს უჩვეულო ტემპ-რის, მაიონიზებელი გამოსხივების, შხამიანი ნივთიერების, ზოგიერთი სამკურნ. პრეპარატის მოქმედებამ, აგრეთვე ჟანგბადის დეფიციტმა, ოსმოსური წნევის დარღვევამ, პარაზიტებით დასნებოვნებამ, ჰიბრიდიზაციამ, სასქესო ქრომოსომების ანომალიამ და სხვ. ს. ვითარდება აგრეთვე მუტაციების (შემკვიდრული ცვლილებები) შედეგადაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამკურნ. პრეპარატებისა და სხვა ქიმ. ნივთიერებების, აგრეთვე ფიზ. ფაქტორების ზემოქმედებით ს-თა წარმოქმნის მექანიზმის ახსნას ცხოველებში, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანებში ს-ის განვითარების შესაძლებლობა.

ლიტ.: Дымов А. П., Очерки патологической эмбриологии человека, Л., 1959; Поттер Э., Патологическая анатомия плодов, новорожденных и детей раннего возраста, пер. с англ. В. В. Серова, М., 1971; Schwalbe E., Die Morphologie der Mißbildungen des Menschen und der Tiere, Bd. 1, Jena, 1906.

სიმბიოზი (ბერძნ. symbiōsis — თანაცხოვრება), სხვადასხვა სახეობის ინდივიდთა ისეთი თანაცხოვრება, როდესაც ორივე წევრი (სიმბიონტი) უშუალოდ და შეთანხმებულად ურთიერთმოქმედებს გარემოსთან. ტერმ. „ს.“ შემოიღო გერმ. მეცნ. ა. დე ბარიმ (1879) *ლიქენებთან* დაკავშირებით. ს. წარმოადგენს შეგუების ფორმას, რ-იც ევოლ. პროცესში ჩამოყალიბდა. მასში ერთიანდებიან ცხოველები, მცენარეები და მიკროორგანიზმები, როგორც ერთუჯრედიანი (უჯრედშიგა ს.), ისე მრავალუჯრედიანი ორგანიზმები. ს-ის მატერ. საფუძველია ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების ურთიერთგამოყენება, ერთი ორგანიზმის მიერ მეორის დაცვა ან საცხოვრებლად გამოყენება და ა. შ. ვიწრო მნიშვნელობით ს. გულისხმობს ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრებას (ე. წ. მუტუალიზმი). მაგ., ლიქენების შემადგენელი სოკო თანამონაწილე წყალმცენარეს აწვდის წყალსა და მინერ. მარილებს, მისგან ღებულობს ფოტოსინთეზის პროდუქტებს. ასეთივე დამოკიდებულებაა ზოგიერთ უმაღლეს მცენარესა და მის ფესვებზე მობინადრე სოკოს შორის (ე. წ. მიკორიზა). ს. აღინიშნება აგრეთვე მცენარეებსა და მიკროორგანიზმებს შორის (მაგ., პარკოსნები და *კოჭრის ბაქტერიები*). ცნობილია ს-ის მრავალი ფორმა მცენარეებსა და ცხოველებს შორის: ერთუჯრედიანი მცენარეები გვხვდება როგორც ერთუჯრედიან, ისე მრავალუჯრედიან ცხოველებში (ნაწლავღრუიანები, ჭიების ზოგიერთი სახეობა და სხვ.). ცხოველის გამჭვირვალე სხეულში მცენარე საიმედოდაა დაცული არახელსაყრელი ფაქტორებისაგან და ღებულობს აზოტოვან ნაერთებს, წყალს, მინერ. მარილებს და სხვ., თავის მხრივ კი აწვდის ფოტოსინთეზის პროდუქტებს. ს. ფართოდაა გავრცელებული ცხოველებშიც. მაგ., კიბო-განდეგილის ნიჟარაზე მიმაგრებული აქტინია მსუსხავი უჯრედებით იცავს კიბოს მტრისაგან, მას კი იყენებს გადასაადგილებლად. ცხოველებისა და მიკრორგანიზმების ს-ის მაგალითია ნაწლავების *მიკროფლორა*. ზოგ ცხოველში უჯრედისის მონელება ხდება სიმბიონტ მიკროორგანიზმების მიერ გამოყოფილი ფერმენტებით. ზოგჯერ ორგანოიდების ევოლ. უკავშირებენ ს-ს, სახელდობრ, ქლოროპლასტებს იხილავენ სახეცვლილ სიმბიონტ წყალმცენარეებად, მიტოქონდრიებს კი — პროკარიოტულ სიმბიონტებად (სიმბიოგენეზური ჰიპოთეზა). ტერმ. „ს-ის“ ფართო მნიშვნელობით გამოყენებისას მასში აერთიანებენ თანაცხოვრების ყველა ფორმას *პარაზიტიზმის*, ე. წ. უარყოფითი ს-ის, ჩათვლით (იხ. *კომენსალიზმი*). *ა. შათირიშვილი.*

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 129.

სიმბირსკი, რსფსრ ულიანოვსკის ოლქის ცენტრის ქ. *ულიანოვსკის* სახელწოდება 1924-მდე.

სიმბირცევი ვასილი ნიკოლოზის ძე [დ. 1 (14). I. 1901, პეტერბურგი], საბჭ. არქიტექტორი. სსრკ სახ. არქიტექტორი (1975). სკკპ წევრი 1961-იდან. დაამთავრა მოსკ. უმაღლესი სამხატვრო ტექ. ინ-ტი (1928). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ვოლგოგრადის საქალაქო მეურნ. ინჟინერთა ინ-ტში (1955—59). მონაწილეობდა ვოლგოგრადის აღდგენასა და აშენებაში (მთავარი არქიტექტორი, 1944—59), დააპროექტა ქალაქის ცალკეული რ-ნები და ნაგებობები, გმირთა ხეივანი და დალუპულ მებრძოლთა მოედანი, საოლქო პარტ. სკოლის შენობა (ახლანდ. სამედ. ინ-ტის შენობა, 1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). ს. თანაავტორია მოსკ. საბჭ. არმიის თეატრის შენობის პროექტისა (1934—40) და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სიმბოლიზმი (ფრანგ. symbolisme < ბერძნ. simbolon — ნიშანი, სიმბოლო), მიმდინარეობა დას. ევროპის ლიტერატურასა და ხელოვნებაში XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში (საფრანგეთში — შ. ბოდლერი, ა. რემბო, პ. ვერლენი, ს. მალარმე და სხვ.; ბელგიაში — ე. ვერჰარნი, მ. მეტერლინკი; გერმანიაში — გ. ჰაუპტმანი, შ. გეორგე; ინგლისში — ო. უაილდი, ე. სუინბერნი; ავსტრიაში — ჰ. ფონ ჰოფმანსთალი, რ. მ. რილკე; რუსეთში — ა. ბლოკი, კ. ბალმონტი, ვ. ბრიუსოვი). ჩამოყალიბდა ბურჟ. ჰუმანიტარული კულტ. საერთო კრიზისის შედეგად. იგი ერთგვარი რეაქცია იყო პარნასელთა პოეზიაზე. ს-თვის დამახასიათებელია კონკრ. სახის შეცვლა სიმბოლოთი, ირეალური სინამდვილის ძიება, კამერულობა, მაქს. ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალობის შექმნაზე. ს. იყო სინამდვილისადმი ოპოზიციის გამოხატვა, მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა დიდი ამაგი დასდეს ლირ. აზროვნების განვითარებას.

საქართველოში ს. ლიტ-რაში ჩამოყალიბდა XX ს. 10-იან წლებში. 1915 ქუთაისში შეიქმნა სიმბოლისტთა ჯგუფი, რ-მაც 1916 გამოსცა ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, „*ცისფერყანწელების*“ ჯგუფში შედიოდნენ პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, ს. ცირეკიძე, ს. კლდიაშვილი, კ. ნადირაძე და სხვ. ქართვ. სიმბოლისტები ცდილობდნენ პოეტური ფორმის გადახალისებას, გამომსახველობით საშუალებათა გამდიდრებას, ამასთან, კლასიკური მემკვიდრეობის გამოყენებასაც. 1925 შემდეგ ქართ. სიმბოლისტური სკოლა დაიშალა, მისი წევრები საბჭ. ლიტ-რის პოზიციაზე დადგნენ.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე მ., ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, თბ., 1977; ჭ ი ლ ა ი ა ს., ცისფერი ყანწები, «განთიადი», 1976, № 5; Белый А., Символизм, М., 1910.

ს. თ ე ა ტ რ ი, სიმბოლისტური თეატრის შექმნის იდეა გამომდინარეობს სცენაზე ხელოვნ. ყველა დარგის ორგ. შერწყმის ნეორომანტიკული კონცეფციიდან. თეატრ. წარმოდგენაში სიტყვის, ფერისა და მუსიკის შეხამებას მაყურებელზე უნდა მოეხდინა ისეთივე ზემოქმედება, როგორსაც მოახდენდა მუსიკა; ე. ი. უნდა შექმნილიყო სახეები, რ-ებიც კონკრ. აზრობრივ გაშიფვრას არ დაექვემდებარებოდა. სიმბოლისტური თეატრის შექმნას XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ხელი შეუწყო: 1) სპეციფ. დრამატურგიულმა მასალამ (მეტერლინკის, ვერჰარნის, ჰოფმანის, მოგვიანებით იბსენისა და სხვ. ნაწარმოებები), რ-იც სცენაზე ადეკვატურ ხორცშესხმას მოითხოვდა; 2) სიმბოლისტმა რეჟისორებმა, რ-ებმაც უარყვეს რეალისტური თეატრის ტრადიციები და დრამატურგიას, როგორც სპექტაკლის იდეურ საფუძველს, დაუპირისპირეს რეჟისორისა და მხატვრის დიქტატი; ისინი ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ სცენაზე „პირობითი თეატრის“ იდეა („მოქმედება-სიმბოლო“), განეხორციელებინათ „მარიონეტების თეატრის“ პრინციპები; 3) პლასტიკური ხელოვნების (ძირითადად ფერწერა) მოძალებამ თეატრში. დას. ევროპაში ს-მა თავი იჩინა პარიზის ესსტუდიო თეატრებში (ხელმძღვანელები პ. ფორი, ო. მ. ლუნიე-პო, ჟ. რუშე), შვეიცარიაში რეჟისორ ა. აპიას, დიდ ბრიტანეთში ჰ. კრეგის, გერმანიაში გ. ფუქსისა და ნაწილობრივ მ. რაინჰარდტის შემოქმედებაში.

რუსეთში სიმბოლისტური თეატრის განვითარება წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. მისი ესთეტიკა ჩამოაყალიბეს თავის სტატიებში ვ. ივანოვმა (კრებ. „ვარსკვლავების კვალდაკვალ“, 1909), ვ. მეირხოლდმა (კრებ. „თეატრის შესახებ“, 1913), მაგრამ სიმბოლისტური დრამის სცენაზე განხორციელების ცდები ძირითადად ეკლექტიკური ხასიათისა იყო. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა კ. სტანისლავსკის მიერ მოსკ. სამხატვრო თეატრში დადგმული მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“ (1908). ს-მა რუს. თეატრში ვერ მოიკიდა ფეხი და 1910-იდან განვითარებას განაგრძობდა დრამატურგიაში. რეჟისორებმა (ვ. მეირხოლდი, ნ. ევრეინოვი და სხვ.) და მხატვრებმა მიმართეს ოპერას, ბალეტს, პანტომიმას.

ს. XIX—XX სს. მიჯნის მხატვრული კულტურის რთული მოვლენაა. მისი გავლენა განიცადა ბევრმა მხატვრულმა მიმდინარეობამ (*ექსპრესიონიზმი*, *სიურრეალიზმი*, ნაწილობრივ *ფუტურიზმი* და სხვ.).

ქართ. დრამატურგიასა და თეატრში ს. თავს იჩენს XX ს. პირველ ათეულ წლებში. იგი წარმოდგენილია პიესებით: ს. შანშიაშვილის „შვების თავადი“ (1908—11), „მეფე-მგოსანი“ (1912); ს. ცირეკიძის „პირიმზე“ (1918), პ. კაკაბაძის „სამი ასული“ (1919). ამ პიესებში შეიმჩნევა ის წინააღმდეგობანი, რაც საერთოდ დამახასიათებელია სიმბოლისტური მწერლობისათვის: რეალისტური ხელოვნ. ტრადიციებისაგან ირაციონალობისა და მისტიკურობისაკენ გადახრა, თანამედროვე სინამდვილისადმი პროტესტი, უსამართლობის სასტიკი მხილება ან. მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების მეოხებით. ქართვ. რეჟისორების მიერ დადგმული სიმბოლისტური პიესებიდან აღსანიშნავია: მ. მეტერლინკის

„მარიამ მაგდალინელი" (სპექტაკლის რეჟისორი იყო ლ. ალექსი-მესხიშვილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დაამთავრა შ. ბერიშვილმა, 1921), ო. უაილდის „სალომე" (რეჟ. კ. მარჯანიშვილი, 1922), ს. შანშიაშვილის „ბერდო-ზმანია" (რეჟ. ს. ახმეტელი, 1920) და სხვ.

ლიტ.: Гвоздев А. А., Западноевропейский театр на рубеже XIX и XX столетий, Л.—М., 1939; Родина Т. М., А. Блок и русский театр начала XX века, М., 1972.

სახვით ხელოვნებაში ს-ს არ გააჩნდა ჩამოყალიბებული სახე. მის წარმომადგენლებს არ აერთიანებდათ არც საერთო თეორ. პროგრამა, არც სტილური ნიშნები (გ. მორო, ო. რედონი საფრანგეთში, ფ. როფსი ბელგიაში, ა. ბეკლინი შვეიცარიაში და სხვ.). საწყის ეტაპზე ს-ს სახვით ხელოვნებაში ჰქონდა ტენდენცია ნაწარმოების სიუჟეტი დაეტვირთა რამდენიმე მნიშვნელობით, ალეგორიებითა და მისტ. სიმბოლოებით. ამან გამოიწვია ინტერესის გაცხოველება ძვ. რელიგიებისადმი; ბიბლიური, ძვ. აღმოსავლეთის, ანტ., ლეგენდებისადმი. უფრო სხვაგვარად ესმოდათ ს. სახვით ხელოვნებაში ე. წ. პონტა-ვენის სკოლის წარმომადგენლებს (პ. გოგენი, ე. ბერნარი). ამ ეტაპზე სიმბოლურ დატვირთვას ღებულობდა არა ნაწარმოების სიუჟეტი, არამედ თვით მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი—ფერი, ხაზი, მონახაზი, კომპოზიციური აგების რიტმი. ამგვარი გაგება ს-ისა მხატვრობაში გაგრძელდა XX ს-შიც, „მოდერნის" ხელოვნებაშიც, ფორმის აქტ. გასულიერების ცდებში. ს-ის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ XX ს-ში ფ. ფონ შტუკი, მ. კლინგერი — გერმანიაში, ფ. კნოპფი — ბელგიაში, ო. ბერდსლი — ინგლისში, ჩიურლიონისი — ლიტვაში და სხვ. რუსეთში ს-ის გარკვეული ნიშნები გამოვლინდა „მირ ისკუსსტვას" ხელოვნებაში, რერიხის, ბორისოვ-მუსატოვის, ვრუბელის ნაწარმოებებში, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო სიმბოლისტი.

ქართ. სახვით ხელოვნებაში ს. არ ჩამოყალიბებულა თავისთავადი მიმართულების სახით და არც მიმდევრები ჰყოლია. მხოლოდ რამდენიმე მხატვრის ცალკეულ ნაწარმოებებში შეიმჩნევა მიმართულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები (შ. ქიქოძე, „დაღუპული მეგობრის მოსაგონრად", 1921, საქართ. ხელოვნ. მუზეუმი, თბილისი).

ლიტ.: Всеобщая история искусств, т. 5—6, кн. 1—2, М., 1964—66; Ревалд Дж., Постимпрессионизм. От Ван Гога до Гогена, [пер. с англ., т. 1, Л.—М., 1962].

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

სიმბოლო (ბერძნ. symbolon — ნიშანი), 1. გრძნობად-აღქმადი ობიექტი, რ-საც შეთანადებული აქვს ნებისმიერი ბუნების სხვა ობიექტი, როგორც მისი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. არ არის აუცილებელი, რომ ს. ჰგავდეს თავის მნიშვნელობას. ს-ს მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც ფიზ. საგანი ან მოვლენა, ისე აზროვნებისეული ობიექტი — საგანთა თვისება, მ. შ. არსებული მიმართება, საგნობრივი ვითარება. ს. აღქმად-მატერიალურ სახეს აძლევს აზროვნების პროცესებს და ამით ქმნის ცოდნის დაგროვების, შენახვისა და გადაცემის საშუალებას. ზოგჯერ ს-ს ხმარობენ „პირობითი ნიშნის" სინონიმად და განსაზღვრავენ მას, როგორც აშკარა შეთანხმებათ შემოღებულ ნიშანს (იხ. აგრეთვე *სემიოტიკა, იეროგლიფების თეორია*). 2. ესთეტიკური კატეგორია ლიტ-რასა და ხელოვნებაში; რომელიმე მოვლენის, საგნის, ცნების შეცვლა გარკვეული მსგავსების საფუძველზე, რაც ღრმა განზოგადების მომცველი მხატვრული წარმოსახვის შედეგია. მაგ., ა. წერეთელი სატრფოს მიიჩნევს სამშობლოს ს-დ, ვაჟა-ფშაველა არწივს — ქედუხრელობის გამომხატველად, დაჭრილ არწივს კი თავისუფლებაწართმეული სამშობლოს ს-დ. ლიტ. სახე ხშირად ხდება რომელიმე მოქმედების, ქცევის საერთო ს. (მაგ., ლუარსაბ თათქარიძე, ყვარყვარე თუთაბერი და სხვ.). ს. ემსგავსება ალეგორიას, მაგრამ მისგან განსხვავებით რომელიმე კონკრ. მოვლენით კი არ არის შეზღუდული, არამედ ყოველთვის ფართო განზოგადებითი ხასიათისაა. სიმბოლური შეიძლება იყოს სიტყვათა რიგი, რამდენიმე წინადადება, მხატვრული სახე, გმირი, მთელი ნაწარმოები.

ლ. მჭედლიშვილი. მ. ნათაძე.

სიმბოლოების თეორია, იხ. *იეროგლიფების თეორია.*

სიმბოლური აზროვნება, აზროვნების ისეთი პროცესი, როდესაც წარმოდგენები სიმბოლურად გამოხატავს აზრს — გარკვეულ შინაარსს, ე. ი. მეტს გულისხმობს, ვიდრე თვით წარმოდგენის თვალსაჩინო ხატშია გამოხატული. სიმბოლური წარმოდგენები იმით განსხვავდება პირობითი ნიშნებისაგან (სიტყვა, ციფრი, არითმ. ნიშნები და სხვ.), რომ ეს წარმოდგენები სავსებით პირობითი არ არის, თითოეული მათგანი ნაწილობრივ მაინც მიმსგავსებულად განიცდება ნაგულისხმევ შინაარსთან, ე. ი. მათში მაინც არის „ნატურალური სიმბოლიზმის" ელემენტი. გენეტიკურად ბავშვის განვითარების საწყის პროცესში ეს ორი ფუნქცია (ნიშნისა და სიმბოლური მნიშვნელობისა) არ არის დიფერენცირებული. მათი დიფერენციაცია თანდათან ხდება მეტყველების განვითარების პროცესში.

საზ. ცხოვრებაში, წარმოებაში, ტრანსპორტში ხშირად არის გამოყენებული სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი სქემები ან სურათები (ისრის გამოხატულება, ხელის სურათი გაშლილი საჩვენებელი თითითურთ, ჯვარი, როგორც ქრისტიანობის ნიშანი, წითელი და მწვანე ფერი და ა. შ.) სიტყვის (წარწერის) ნაცვლად.

ლიტ.: ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1977, გვ. 404—416; Delacroix H. S., Le language et la pensée, P., 1932; Meyerson I., Les fonctions psychologiques et les œuvres, P., 1948. *რ. ნათაძე.*

სიმბოლური ლოგიკა, მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი ლ ო გ ი კ ა, თანამედროვე ფორმალური ლოგიკა, რ-იც შეისწავლის სწორი, გამართული ბჭობისა და დასაბუთების კანონებს სპეციალურად აგებული სიმბოლიკური ენების გამოყენებით (იხ. *ლოგისტიკური მეთოდი*). კვლევის ეს მეთოდი ტრად. მეთოდებთან შედარებით გაცილებით უფრო ზუსტი და ნაყოფიერია. ს. ლ-ის იდეა პირველად გ. ლაიბნიცმა ჩამოაყალიბა. მისი სისტემ. განვითარება კი ჯ. ბულის შრომებით დაიწყო XIX ს. შუა წლებში („ლოგიკის მათემატიკური ანალიზი", 1847). ამჟამად ს. ლ. ინტენსიურად განვითარებადი მრავალდარგოვანი მეცნიერებაა (იხ. აგრეთვე: *ლოგიკა, პრედიკატთა ლოგიკა*).

ლიტ.: ტარსკი ა., ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი, თარგმ. ინგლისურიდან, თბ., 1971. *ნ. ივანიძე.*

სიმბორსკი ნიკოლოზ ვასილის ძე (1849, სიმბირსკის გუბ., — 21. II. 1881, თბილისი), რუსი პოეტი, ჟურნალისტი. 1877-იდან კავკასიაში იყო სამხ. კორესპონდენტად. ლექს-ეექსპრომტისათვის „სიმღერა ეშმაკის დუჟინზე", რ-შიც უმოწყალოდ დასცინოდა გენერლებს, იძულებული გახდა მიეტოვებინა არმია და თბილისში დამკვიდრებულიყო. თანამშრომლობდა ნ. ნიკოლაძის გაზ. „ობზორში" და ჟურნ. „ფალანგაში". ბეჭდავდა ლექსებსა და ფელეტონებს. ს. აგრძელებდა რუს. პოეზიის დემოკრ. ტრადიციებს. *ი. ხოფერია.*

სიმღი, ოსური რიტუალური ცეკვა. ასრულებდნენ ვაჟები. ჩვენს დროში წყვილთა (ქალ-ვაჟი) ჯგუფური ცეკვაა, რ-იც იწყება ნელა და გადადის სწრაფ ტემპში. მუს. ზომა 6/8.

„სიმღერით ამაღლებულთა" გამოსვლა, პოლიტიკური გამოსვლა საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ *თამარის* დროს. იხ. სტ. *ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა.*

სიმებიან-დასარტყმელი საკრავები, საკრავები, რ-ებიც ბგერას გამოსცემენ დაჭიმულ სიმებზე ჩაქუჩის ან ჯოხის დარტყმით (მაგ., ფორტეპიანო, ციმბალები და სხვ.). იხ. *სიმებიანი საკრავები.*

სიმებიანი საკრავები (ქ ო რ დ ო ფ ო ნ ე ბ ი), მუსიკალური საკრავები, რ-თა ბგერის წყაროა დაჭიმული სიმები. ბგერის სიმაღლეს ცვლის სიმების დამოკლება (მაგ., ვიოლინოზე) ან მუდმივად გარკვეულ სიმაღლეზე აწყობილი (საკრავის დიაპაზონის ფარგლებში) სიმები (მაგ., ფორტეპიანო). ს. ს-ის უმრავლესობა მზადდება სხვადასხვა ჯიშის ხისაგან, ხოლო ბგერის ძირითადი გამომცემი, დეკა, ე. წ. სარეზონანსო ნაძვის ან ფიჭვისაგან. ლითონი, ჩვეულებრივ (სიმების გარდა), გამოიყენება მხოლოდ მექანიზმის დასამაგრებელი დეტალებისათვის. ს. ს. იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ხემიანი, ჩამოსაკრავი, დასარტყმელი დასარტყმელ-კლავიშიანი და ჩამოსაკრავ კლავიშიანი საკრავები.

სიმებიან-ხემიანი საკრავები, საკრავები, რ-ებიც ბგერას გამოსცემენ დაჭიმულ სიმებზე ხემის ხახუნით (მაგ., ვიოლა, ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, ქამანჩა, გიჯაკი, კობიზი და სხვ.); იხ. *სიმებიანი საკრავები.*

სიმელოტე, ს ი ქ ა ჩ ლ ე, ა ლ ო პ ე ც ი ა, თმის ნაწილობრივი ან მთლიანი გაცვენა კანის გარკვეულ ნაწილზე ან მთელ კანზე. პროცესი უმეტესად ლოკალიზდება თავის თმიან ნაწილში, სახეზე, უფრო იშვიათად — იღლიის ფოსოში და სხვ. ადგილებში. ს. შეიძლება იყოს თანდაყოლილი, ნაადრევი და სიბერის. სიმპტომური ს. ვითარდება მწვავე ინფექციების, ნერვული და სოკოვანი დაავადებების, ენდოკრინული მოშლილობის, ინტოქსიკაციისა და სხვათა შედეგად; ახასიათებს თმის დიფუზიური ან კეროვანი გაცვენა სხეულის წებისმიერ მიდამოში; ბ უ დ ო ბ რ ი ვ ი (წრეობრივი) ს. ვლინდება მკაფიოდ შემოფარგლული მრგვალი ან ოვალური უთმო კერების გაჩენით (კერების გაერთიანებისას ადამიანი შეიძლება მთლიანად გამელოტდეს). ს-ის ამ ფორმის გამომწვევი მიზეზია სისხლძარღვთა ნევროზი და ენდოკრინული მოშლილობა. თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი ს. განვითარების ანომალიის გამოვლენაა და იშვიათად გვხვდება; ვლინდება ბავშვის დაბადებისთანავე ან რამდენიმე თვის შემდეგ. ნ ა ა დ რ ე ვ ს-ს, რ-იც უმეტესად უვითარდებათ 20—25 წლის მამაკაცებს, ახასიათებს თავზე თმის თანდათანობითი, პროგრ. ცვენა; ამ დროს თავის კანი გათხელებულია. ს ი ბ ე რ ი ს ს., რ-იც მამაკაცებსა და ქალებს უჩნდებათ 55—60 წლის ასაკში, ვითარდება ნაადრევი ს-ის მსგავსად და ნორმალური, ფიზიოლ. დაბერების შედეგია.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: A, B_1, B_6 ვიტამინები, ფუროკუმარინის რიგის პრეპარატები ულტრაიისფერ დასხივებასთან ერთად; ჰორმონული ნივთიერებები; ადგილობრივად — სხვადასხვა შესაზელი საშუალება; მასაჟი; ფიზიოთერაპიული პროცედურები.

სიმენონი (Simenon) ჟორჟ (დ. 13. II. 1903, ლიეჟი), ფრანგი მწერალი. ბელგ. ფრანგ. ენისა და ლიტ-რის სამეფო აკად. (ბრიუსელი) წევრი 1951-იდან. პირველ ნაწარმოებებს აქვეყნებდა ჟორჟ სიმის (Sim) ფსევდონიმით. 1931 გამოაქვეყნა რომანი „პიტერ ლატვიელი". აქედან დაიწყო მისი მმაფრსიუჟეტიანი დეტექ-

ტური რომანებისა და მოთხრობების სერია, რ-ის მთავარი გმირია პოლიციის კომისარი მეგრე. ამ სერიაში აღსანიშნავია „მეგრე მოგზაურობს“ (1958), „მეგრე და მაწანწალა“ (1963) და სხვ. ს-ის სხვა ნაწარმოებებს შორის გამოირჩევა სოც.-ფსიქოლ. რომანები „საწყალი კაცის ცხოვრების ოთხი დღე“ (1949), „პრეზიდენტი“ (1958), „ციხე“ (1968) და სხვ.

სიმენსი, ზიმენსი (Siemens) ერნსტ ვერნერ (13. XII. 1816, ლენთე, ჰანოვერის მახლობლად, — 6. XII. 1892, ბერლინი), გერმანელი ელექტროტექნიკოსი და მეწარმე, ბერლინის მეცნ. აკად. წევრი (1874). დააარსა მსხვილი ელექტროტექ. კონცერნები: „სიმენსი და ჰალსკე“, „სიმენსი და შუკერტი“ და სხვ., რ-თა მთავარი მეპატრონე იყო თვითონ. ს-ის პირველი სამუშაოები (40-იანი წწ.) დაკავშირებულია გალვანოპლასტიკასთან. ძმასთან ერთად გამოიგონა ინერციული რეგულატორი ორთქლის ძრავასათვის (1845). 70-იან წლებამდე მუშაობდა ტელეგრაფიის, შემდგომ კი ელექტრული განათების, წევის, ელექტრული სადგურების საკითხებზე. გამოიგონა სადენებზე რეზინის იზოლაციის ზედსადები მანქანა; შექმნა I-ებრი კვეთის ცილინდრული ღუზა ელექტრული მანქანისათვის (1856); გაზომა მრავალი ნივთიერების დიელექტრიკული შეღწევადობა (1859); დაამზადა წინაღობის ვერცხლის წყლის ეტალონი (1860), თვითაგზნებიანი ელექტრომანქანური გენერატორი (1867), სელენური ფოტომეტრი (1887); აადო მსოფლიოში პირველი საცდელი ტრამვაის ხაზი ბერლინის სამრეწვ. გამოფენაზე (1879) და სხვ.

ლიტ.: Радовский М. И., В. Сименс. 1816—1892. Основатель электрической промышленности, კრ.: Пионеры машинной индустрии, М.—Л., 1937.

სიმენსი, *ერთეულთა საერთაშორისო სისტემის* (SI) ელექტრული გამტარობის ერთეული. ქართ. აღნიშნავს *სიმ*, საერთაშ. — S. ტოლია ისეთი გამტარის ელექტრული გამტარობისა, რ-ის წინაღობა 1 *ომია*. სახელი ეწოდა ე. *სიმენსის* პატივსაცემად. XIX ს-ში ს-ის სახელწოდებით ცნობილი იყო ახლა ხმარებიდან გამოსული ელექტრული წინაღობის ერთეული, რ-იც ტოლია 1 *მ* სიგრძისა და 1 *მმ*^{2} განივკვეთის ფართობის მქონე ვერცხლისწყლის სვეტის წინაღობისა 0°C-ზე.

სიმეონ-ალუარი ჯიში მსხვილი რქოსანი საქონლისა, სარძეო-სახორცე მიმართულების ჯიში. გამოყვანილია შვეიცარიაში. ფერად თაფლა-ჭრელია. ტანად დიდი და მსხვილძვლიანია. კუროს მასა 800 — 1100 *კგ*, ფურისა 550—650 *კგ*. წლ. წველადობა 3500—4000 *კგ*, რძის ცხიმიანობა 3,8—3,9% აღწევს. ნაკლავის გამოსავალი — 60%. მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. რუსეთში შემოიყვანეს XIX ს. II ნახევარში, საქართველოში — XIX ს. ბოლოს. 1948-მდე დიდი რაოდენობით შემოჰყავდათ და იყენებდნენ ადგილ. საქონლის გასაუმჯობესებლად. შემდეგ მისი შემოყვანა შეწყდა.

თ. ფირცხალაიშვილი.

სიმეონი (864 ან 865,— 27. V. 927), ბულგარეთის მთავარი 893-იდან, მეფე 919-იდან. ეომებოდა ბიზანტიას; გააფართოვა ე. წ. ბულგ. პირველი სამეფოს საზღვრები; მის დროს ბულგ. პირველმა სამეფომ ძლიერებასა და კულტ. აღმავლობას მიაღწია. ს-ის დროს აღმოცენდა *ბოგომილობა*.

სიმეონ ლოგოთეტი (Symeōn Logothetēs), X ს. ბიზანტიელი ქრონისტი, ავტორი „ქრონოგრაფიისა“, რ-იც მოიცავს ისტორიას 842-იდან 948-მდე (დაასრულა 948—963 შორის). პირველი ორი ნაწილი კომპილაციაა, მესამე (913-იდან) კი ორიგინალურია. „ქრონოგრაფიის“ ავტორი ჯერ სიმეონ მაგისტროსი ეგონათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეისწავლეს „ქრონოგრაფიის“ სლავური თარგმანი, დადგინდა, რომ მისი ნამდვილი ავტორია ს. ლ. ზოგი მკვლევრის აზრით, „ქრონოგრაფიის“ ავტორი ს. ლ. იგივე *სიმეონ მეტაფრასტია*. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ს. ლ-ის ლექსებმა და წერილებმა.

თხზ.: Симеона Метафраста и Логофета описание мира, СПб., 1905.

ლიტ.: Каждан А. П., Хроника Симеона Логофета, «Византийский временник», 1959, т. 15; Krumbacher K., Geschichte der byzantinischen Literatur, 2. Aufl., Münch., 1897.

გ. ლუდუშაური.

სიმეონ მეტაფრასტი (Symeōn Metaphrastēs), X—XI სს. ბიზანტიელი მწერალი. ფუძემდებელია იმ ლიტ. მიმართულებისა, რ-მაც მიზნად დაისახა ადრინდ. ბერძნ. საეკლ. ტექსტების (წმინდანთა ცხოვრების ძვ. რედაქციების ანუ კიმენის) გადამეტაფრასტება-შესწორება და გავრცობა-შემჯობა. კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და შეისწავლა ს. მ-ის და იოანე ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიულ-მეტაფრასტული კრებული, ქართ. ხელნაწერებში მიაგნო ორ დოკუმენტს, რ-თაგან ერთი („მოსაკსენებელი მცირე სჯმეონისათვის ლოღოთეტისა, თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათჳს“) ეკუთვნის ეფრემ მცირეს, მეორე—იოანე ქსიფილინოსს; აქედან ირკვევა, რომ ს. მ-ს გადაუმეტაფრასტებია შემოდგომა-ზამთრის (ენკენისთვე -იანვ.) თვეთა წმინდანების ცხოვრება-მარტვილობანი და თავისი შრომა 982 დაუწერია. ეფრემ მცირის მოწმობისა და ხელნაწერთა მინაწერებიდან ჩანს, რომ ს. მ-ის მეტაფრასტები ქართულად უთარგმნიათ ექვთიმე ათონელს, დავით ტბელს, სტეფანე სანანოძეს, გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, თეოფილე ხუცესმონაზონს, არსენ ვაჩნაძეს და იოანე პეტრიწს. ს. მ-ს ზოგიერთი მკვლევარი აიგივებს *სიმეონ ლოგოთეტთან*, რ-ის სახელითაც მოღწეულია „ქრონოგრაფია“; იგი შეიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 948-მდე.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973.

სიმეონ პოლოცკი [ერისკაცობაში — სამუილ ემელიანის (გაბრიელის) ძე პეტროვსკი-სიტნიანოვიჩი] (1629, პოლოცკი, — 25. VIII. 1680, მოსკოვი), ბელორუსი და რუსი საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, მწერალი, განმანათლებელი. ეკუთვნის საღვთისმეტყველო ტრაქტატი „მმართველობის კეთრთჩი“ (1667). 1678 კრემლში ჩამოაყალიბა სტამბა. 1648-იდან წერდა ლექსებს პოლ., ბელორ.-უკრ., რუს. ენებზე. რუს. ენაზე აქვს დაწერილი ქადაგებები და ლექსების კრებულები, გალექსილი პიესები. ლექსად თარგმნა „ფსალმუნი“. იყენებდა სილაბურ ლექსს. რუს. ლიტ-რაში ითვლება პოეტური და დრამ. ჟანრების ფუძემდებლად.

თხზ.: Избр. соч., М.—Л., 1953.

სიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერი, სვიმეონწმიდის ლავრა, სასულიერო მოღვაწის სიმეონ მესვეტე-უმცროსის (521—592) მიერ დაარსებული მონასტერი *შავ მთაზე*, ანტიოქიის ახლოს (ისტ. სირიაში, ამჟამად თურქ. ფარგლებშია); ასკეტური და მწიგნობრული საქმიანობის მნიშვნელოვანი ქრისტ. კერა. იქ მრავლად იყვნენ ბერძენი და სირიელი ბერები; მოღვაწეობდნენ ქართველებიც. იმჟამინდელ ქართ.-სირ. ლიტ. ურთიერთობათა კვალი შეინიშნება ზოგიერთ უძველეს ქართ. ძეგლში. ს. ს. მ-ში ქართვ. ბერები განსაკუთრებით მომრავლდნენ XI ს-ში. ამას ხელი შეუწყო, ერთი მხრით, სირ. გათავისუფლებამ მაჰმადიანთაგან და ბიზანტ. მფლობელობაში შესვლამ, ხოლო, მეორე მხრით, ანტიოქიის, როგორც ქრისტ. მწერლობის ცენტრის, დაწინაურებამ. იქ მოღვაწე ქართვ. მწიგნობართაგან აღსანიშნავი არიან გიორგი შეყენებული, *გიორგი მთაწმიდელი*, *გიორგი მცირე* და სხვ. ს. ს. მ-ის მდიდარი ბ-კით უსარგებლიათ გიორგი მთაწმიდელს, *ეფრემ მცირეს* და სხვ.

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980.

ლ. მენაბდე.

სიმეტრია (ბერძნ. symmetria — თანაშეზომილება) ბიოლოგიაში (ბიოსიმეტრია), ცოცხალ ბუნებაში გვხვდება ს-ის თითქმის ყველა ძირითადი სახე, როგორიც კი შესაძლებელია გეომ. თვალსაზრისით. ბიოობიექტების ს-ის შესწავლა აღრმავებს წარმოდგენას როგორც მათ თვისებებსა და ფუნქციებზე, ისე თვით სიცოცხლის წარმოშობასა და არსზე. ობიექტის ს-ის სახის აღწერა შეიძლება მისი სიმეტრიული ანუ ისეთი გეომ. ელემენტების (წერტილები, ხაზები, სიბრტყეები) ერთობლიობით, რ-თან შეფარდებითაც მოწესრიგებულია ობიექტის ერთნაირი ნაწილები. მაგ., ფლოქსის ყვავილის ს-ის სახე ყვავილის ცენტრში გამავალი ერთი მე-5 რიგის ღერძია — ამ ღერძის ირგვლივ ყვავილის 5-ჯერ გადაადგილებით (72, 144, 216, 288 და 360°) იგი თავის თავს ემთხვევა. პეპლის სხეულის ს-ის სახეა ერთი სიბრტყე, რ-იც სხეულს მარჯვ. და მარცხ. ნახევრებად ყოფს. აქედან თითოეული მეორის „სარკისეული“ გამოსახულებაა. რადიოლარიის Lithocubus geometricus-ის სახე ბრუნვის ღერძისა და ასახვის სიბრტყის გარდა შეიცავს ს-ის ცენტრსაც. ამ ერთადერთ წერტილში გატარებული ნებისმიერი სწორი ხაზი მისგან ორივე მხარეს თანაბარ მანძილზე ხვდება ფიგურის ერთნაირ (შესაბამის) წერტილებს.

უმდაბლეს ორგანიზმებში (ისეთ ორგანიზმებშიც კი, რ-თაც ახასიათებთ სწორი მრავალწახნაგებისა და სფერული ს.) გვხვდება თითქმის ყველა კლასის წერტილოვანი ს. ევოლ. უფრო მაღალ საფეხურებზე ძირითადად ე. წ. აქსიალური (n სახის) და აქტინომორფული (h . m სახის) ს. გვხვდება (ორივე შემთხვევაში n-ის მნიშვნელობა 1-იდან ∞-მდეა). ცოცხალ ბუნებაში განსაკუთრებით გავრცელებულია ს. n=1 სახისა (ასიმეტრიული), რ-ის მაგალითია მცენარეთა ფოთლები, და 1.m=m (ორმხრივი ანუ ბილატერალური) ს-ის მქონე ორგანიზმები (ადამიანის, ხერხემლიანი ცხოველებისა და მრავალი უხერხემლო ცხოველის გარეგნული ფორმა).

XX ს. 50—70-იან წლებში ინტენსიურად დაიწყეს ე. წ. დისიმეტრიული ბიოობიექტების შესწავლა. აღმოჩნდა, რომ შეიძლება არსებობდნენ სულ მცირე 2 მოდიფიკაციის — ორიგინალისა და მისი სარკისეული გამოსახულების (ანტიპოდის) სახით. აქედან ერთს (სულ ერთია რომელს) უწოდებენ მარჯვენას ანუ D (ლათ. dextro), მეორეს — მარცხენას ანუ L (ლათ. laevo) ს-ს. მაგ., ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარები, იაფუჟუნას ყვავილები, ფიჭვის გირჩები, ბეგონიის ფოთლები, ღვინის მჟავას მოლეკულები და სხვ. გვხვდება D-და L-სახით. ნებისმიერი D-ან L-ობიექტისათვის შესაძლებელია ორი ან მეტი (უსასრულო რიცხვამდე) მოდიფიკაცია (ბიოლ. იზომერია). XX ს-ში დაადგინეს, რომ ცოცხალი უჯრედების ცილები, ამინომჟავები, *დნმ*, შაქრები, ალკალოიდები და სხვ. წარმოდგენილია მხოლოდ (ან უმეტესად) D- ან L - ფორმით. ცოცხალი უჯრედების ამ ფუნდამენტურად დამახასიათებელ თვისებას პასტერმა პროტოპლაზმის დისიმეტრია უწოდა. დადგენილია, რომ D და L ფორმების ფიზიოლ., ბიოქიმ. და სხვა თვისებები ხშირად განსხვავებულია. მაგ., მცენარეული უჯრედების პლაზმის მოძრაობაზე ამგზნები მოქმედებით L-ამინომჟა-

ვები 10-ჯერ და 100-ჯერ აღემატება D-ფორმის ამინომჟავების იმავე მოქმედებას. D- და L- ფორმების მემკვიდრული ნიშან-თვისებების შესწავლამ ნათელყო, რომ მთელ რიგ შემთხვევებში შესაძლებელია L- და D- ორგანოებისა და მათი ნაწილების შეცვლა მუტაგენური და არამუტაგენური ქიმ. ნაერთებით.

ბიოსისტემების სტრუქტურულ ს-ს შეისწავლიან აგრეთვე ს-ის უფრო ზოგადი ტიპების — ფერადი ს-ის, მსგავსების ს-ის, ანტისიმეტრიის და სხვ. ს-ის მიხედვითაც.

ლიტ.: Беклемишев В. Н., **Основы сравнительной анатомии беспозвоночных**, 3 изд., т. 1—2, М., 1964; Гаузе Г. Ф., **Асимметрия протоплазмы**, М.—Л., 1940; Касинов В. Б., **О симметрии в биологии**, Л., 1971; Урманцев Ю. А., **Симметрия природы и природа симметрии**, М., 1974.

ტ. ელიაშვილი.

სიმეტრია მათემატიკაში, 1. სიმეტრია (ვიწრო გაგებით), ანუ არეკვლა (სარკული) სივრცეში α სიბრტყის მიმართ (სიბრტყეში a წრფის მიმართ)— სივრცის (სიბრტყის) გარდაქმნა, რ-ის დროსაც ყოველი M წერტილი გადადის ისეთ M' წერტილში, რომ MM' მონაკვეთი პერპენდიკულარულია α სიბრტყისა (a წრფისა) და ამ სიბრტყით (წრფით) იყოფა შუაზე; α სიბრტყეს (a წრფეს) ეწოდება ს-ის სიბრტყე (ღერძი).

არეკვლა მაგალითია *ორთოგონალური გარდაქმნისა*, რ-იც ცვლის ორიენტაციას. ნებისმიერი ორთოგონალური გარდაქმნა შეიძლება განხორციელდეს სასრული რაოდენობის არეკვლათა საშუალებით.

2. ს. (ფართო გაგებით)—F გეომ. ფიგურის თვისება, რ-იც ახასიათებს F გარკვეულ უცვლელობას მოძრაობისა და არეკვლის დროს. უფრო ზუსტად, F-ს აქვს ს., თუ არსებობს არაიგივეობრივი ორთოგონალური გარდაქმნა, რ-საც გადაჰყავს ეს ფიგურა თავის თავში. სიმრავლე ყველა ორთოგონალური გარდაქმნებისა, რ-ებსაც ფიგურა გადაჰყავს თავის თავში წარმოადგენს *ჯგუფს*, რ-საც ამ ფიგურის სიმეტრიის ჯგუფი ეწოდება (ზოგჯერ თვით ამ გარდაქმნებს სიმეტრიებს უწოდებენ); გარდა არეკვლით წარმოქმნილი ს-ისა, ცნობილია აგრეთვე სივრცული ს-ის სხვა სახეებიც: ცენტრ. ს., ღერძული ს. და გადატანის ს. O წერტილის მიმართ F ფიგურის ცენტრალური სიმეტრიის (ინვერსიის) დროს F ფიგურა უთავსდება თავის თავს სამი ურთიერთმართობული სიბრტყის მიმართ არეკვლის სასრული რაოდენობის შემდეგ. ღერძული სიმეტრიის შემთხვევაში, ანუ წრფის მიმართ n-ური რიგის ს-ის შემთხვევაში, ფიგურა უთავსდება თავის თავს რომელიმე წრფის მიმართ $360°/n$ კუთხით მობრუნების შედეგად. ს-ის ღერძთა განლაგებას, რაოდენობასა და რიგს დიდი მნიშვნელობა აქვს კრისტალოგრაფიაში (იხ. *სიმეტრია კრისტალთა*). გადატანის სიმეტრიის დროს ფიგურა უთავსდება თავის თავს რომელიმე წრფის გასწვრივ რომელიმე მონაკვეთზე გადატანით (იხ. ნახ.).

სიმეტრია ფიზიკაში, თუ კანონები, რ-ებიც აღწერენ ფიზიკური სისტემის მახასიათებელ სიდიდეებს შორის თანაფარდობებს ან მათ ცვლილებებს, დროის მიხედვით არ იცვლება სისტემაზე გარკვეული ოპერაციების (გარდაქმნების) ჩატარების დროს, ამბობენ, რომ ეს კანონები სიმეტრიულია (ინვარიანტულია) მოცემული გარდაქმნების მიმართ. მათ. აზრით ს-ის გარდაქმნების ერთობლიობა ქმნის *ჯგუფს*. ცდები ცხადჰყოფს, რომ ფიზ. კანონები სიმეტრიულია შემდეგი ყველაზე უფრო ზოგადი გარდაქმნების მიმართ:

უწყვეტი გარდაქმნები

1. სისტემის, როგორც მთლიანის, გადატანა (წანაცვლება) სივრცეში. ეს და მომდევნო სივრცულ-დროითი გარდაქმნები შეიძლება გავიგოთ ორნაირად: როგორც აქტიური გარდაქმნა — ფიზ. სისტემის გადატანა არჩეული ათვლის სისტემის მიმართ—ან როგორც პასიური გარდაქმნა—ათვლის სისტემის პარალელური გადატანა. ფიზ. კანონების ს. სივრცეში წანაცვლების მიმართ ნიშნავს სივრცის ყველა წერტილის ეკვივალენტურობას (სივრცის ერთგვაროვნებას), ე. ი. იმას, რომ სივრცეში არ არსებობს არც ერთი ისეთი წერტილი, რ-იც რამეთი იყოს გამოყოფილი.

2. სისტემის, როგორც მთლიანის, შემობრუნება სივრცეში. ფიზ. კანონების ს. ასეთი გარდაქმნების მიმართ ნიშნავს სივრცის ყველა მიმართულების ეკვივალენტურობას (სივრცის იზოტროპიულობას).

3. დროის ათვლის სათავის შეცვლა (დროში წანაცვლება). ამ გარდაქმნის მიმართ ს. ნიშნავს რომ ფიზ. კანონები დროში არ იცვლება.

4. გადასვლა ისეთ ათვლის სისტემაზე, რ-იც მოცემული მიმართ მოძრაობს მუდმივი (როგორც სიდიდით, ისე მიმართულებით) სიჩქარით. ასეთი გარდაქმნების მიმართ ს. ნიშნავს ყველა ინერციული ათვლის სისტემის ეკვივალენტურობას (*ფარდობითობის პრინციპი*).

5. საკალიბრებელი გარდაქმნები. კანონები, რ-ებიც აღწერენ რომელიმე სახის მუხტის (ელექტრული მუხტი, ბარიონული ან ლეპტონური მუხტი, ჰიპერმუხტი) მქონე ნაწილაკთა ურთიერთქმედებას, სიმეტრიული არიან I გვარის საკალიბრებელი გარდაქმნების მიმართ. ეს გარდაქმნები ნიშნავს, რომ ყველა ნაწილაკის ტალღური ფუნქციები შეიძლება გამრავლდეს ერთდროულად ნებისმიერ ფაზურ მამრავლზე: $\Psi_j \to e^{i\alpha} j^{\beta}\, \Psi_j$, $\Psi_j^* \to e^{-i\alpha} j^{\beta} \Psi_j^*$, (1) სადაც Ψ_j არის j-ური ნაწილაკის ტალღური ფუნქცია, Ψ^*_j — მისი კომპლექსურად შეუღლებული ფუნქცია, z_j — ნაწილაკის მუხტი, გამოსახული ელემენტარული მუხტის ერთეულებით, ხოლო β — ნებისმიერი რიცხვითი მამრავლი. ამასთან ერთად ელექტრომაგნ. ურთიერთქმედებებში ელექტრომაგნ. ველის პოტენციალი $(\boldsymbol{A}, \varphi)$ სიმეტრიულია II გვარის საკალიბრებელი გარდაქმნების (გრადიენტულის) მიმართ: $\boldsymbol{A} \to \boldsymbol{A} + \operatorname{grad} f$, $\varphi \to \varphi - \frac{1}{c}\frac{df}{dt}$, (2) სადაც $f(x, y, z, t)$ არის (x, y, z) კოორდინატებისა და (t) დროის ნებისმიერი ფუნქცია, ხოლო c —სინათლის სიჩქარე.

6. ძლიერი ურთიერთქმედებების იზოტოპური ინვარიანტულობა. ძლიერი ურთიერთქმედებები სიმეტრიულია გარკვეულ „იზოტოპურ სივრცეში" მობრუნებათა მიმართ. ამ ს-ის ერთ-ერთი გამოხატულებაა ბირთვული ძალების მუხტური დამოუკიდებლობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერი ურთიერთქმედება ნეიტრონებს შორის, პროტონებს შორის და ნეიტრონსა და პროტონს შორის ერთნაირია, თუ ისინი ერთნაირ მდგომარეობაში არიან.

დისკრეტული გარდაქმნები

უწყვეტ ს-თან ერთად ფიზიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისკრეტული ს-ები, რ-თაგანაც ძირითადია შემდეგი:

1. სივრცული ინვერსია (P). ამ გარდაქმნის მიმართ, რ-ის არსია საკოორდინატო ღერძების მიმართულებათა შეცვლა საწინააღმდეგო მიმართულებებით (გადასვლა „მარჯვენა" კოორდინატთა სისტემიდან „მარცხენაზე"), სიმეტრიულია ძლიერი და ელექტრომაგნ. ურთიერთქმედებებით გამოწვეული პროცესები (ირღვევა სუსტი ურთიერთქმედებისას).

2. ყველა ნაწილაკის ანტინაწილაკით შეცვლის გარდაქმნა (მუხტური შეუღლება, C). ს. ამ გარდაქმნის მიმართ სრულდება აგრეთვე ძლიერი და ელექტრომაგნ. ურთიერთქმედებებით გამოწვეული პროცესებისათვის და ირღვევა სუსტი ურთიერთქმედებით გამოწვეული პროცესებისათვის.

3. ინვერსიისა (P) და მუხტური შეუღლების (C) გარდაქმნების მიმდევრობითი ჩატარება (ნამრავლი) (კომბინირებული ინვერსია CP).

4. დროის ნიშნის შეცვლის გარდაქმნა (დროის შექცევა, T).

5. ნამრავლი სამი გარდაქმნისა: მუხტური შეუღლებისა (C), ინვერსიისა (P) და დროის შექცევისა (T) (CPT-ს). CPT-ს. გამომდინარეობს ველის კვანტური თეორიის ზოგადი პრინციპებიდან და დაკავშირებულია ს-თან *ლორენციის გარდაქმნების* მიმართ და ურთიერთქმედების ლოკალურობასთან. იგი უნდა სრულდებოდეს მაშინაც, როდესაც ურთიერთქმედება არასიმეტრიულია ცალცალკე C, P და T გარდაქმნების მიმართ.

6. ერთნაირი ნაწილაკების გადასმის გარდაქმნა. ერთნაირი ნაწილაკებისაგან შემდგარი სისტემის ტალღური ფუნქცია სიმეტრიულია ერთნაირ ნაწილაკთა ნებისმიერი წყვილის გადასმის მიმართ, თუ ნაწილაკების სპინი მთელი ან ნულის ტოლია, და ანტისიმეტრიულია, თუ ნაწილაკთა სპინი მთელნახევარია.

სიმეტრია და შენახვის კანონები


ნეტერის თეორემის თანახმად, ს-ის ყოველ უწყვეტ გარდაქმნას შეესაბამება სიდიდე, რ-იც ინახება (არ იცვლება დროში). ჩაკეტილი სისტემის სივრცეში წანაცვლების, მისი, როგორც მთლიანის, მობრუნებისა და დროის ათვლის წერტილის შეცვლის მიმართ ფიზ. კანონების ს-იდან გამომდინარეობს იმპულსის, მოძრაობის რაოდენობის მომენტისა და ენერგიის შენახვის კანონები, ხოლო I გვარის საკალიბრებელი გარდაქმნის მიმართ ს-იდან — მუხტის შენახვის კანონები. რაც შეეხება დისკრეტულ ს-ებს კლასიკურ მექანიკაში, ისინი არ შეესაბამებიან რომელიმე შენახვის კანონს. კვანტურ მექანიკაში დისკრეტულ ს-ებს შეესაბამება ისეთი სპეციფ. კვანტური სიდიდეების შენახვა, რ-ებსაც კლასიკური ანალოგები არ მოეპოვებათ. მაგ., სივრცულ ინვერსიას შეესაბამება ე. წ. *ლუწობის* შენახვა.

ლიტ.: Вигнер Е., **Этюды о симметрии**, пер. с англ., М., 1971.


სიმეტრია კრისტალთა, კრისტალის თვისება, შეუთავსდეს თავის თავს გარკვეული, ე. წ. ს-ის ოპერაციის შედეგად. კრისტალების თვითშეთავსება მეტწილად შესაძლებელია რამდენიმე ს-ის ოპერაციის საშუალებით, რ-თა ერთობლიობა ქმნის ს-ის ჯგუფს (G). აღსანიშნავია, რომ მოცემული ს-ის ჯგუფის ორი თანმიმდევრულად ჩატარებული ს-ის ოპერაციის შედეგი იმავე ჯგუფში შემავალი მესამე ს-ის ოპერაციის შედეგის ეკვივალენტურია. ს-ის ყოველ ოპერაციას შეესაბამება გარკვეული გეომ. სახე (წრფე, სიბრტყე, წერტილი) — ს-ის ელემენტი, რ-ის მიმართ ტარდება ესა თუ ის ს-ის ოპერაცია.

კრისტალების გარეგნული ფორმის ს-ს აღწერს ს-ის *წერტილოვანი ჯგუფი* (კრისტალოგრაფიული კლასი). ზოგადად მისი ს-ის ოპერაციებია ბრუნვა და არეკვლა; შესაბამისი ს-ის ელემენტები: სხვადასხვა ტიპის ს-ის ღერძის ეკუთვნის (ნახაზზე AB არის კუბის შესამე, ხოლო CD—მეოთხე რიგის სიმეტრიის ღერძი, O—სიმეტრიის ცენტრი. M და M′ წერტილები სიმეტრიულია როგორც AB და CD ღერძების, ასევე O ცენტრის მიმართ).


სიმეტრია კრისტალთა



ნახ. 1. ა — კუბს (წერტილოვანი ჯგუფი $m\,3m$) აქვს 6 მეორე რიგის ღერძი (2), 4 მესამე რიგის ღერძი (3) და 3 მეოთხე რიგის ღერძი (4); ბ—ეჭესწახნაგა (პექსაგონური) პრიზმის ფუძეების ცენტრებში გადის მეექვსე რიგის ღერძი (6).




ნახ. 2. მაროკუთხა პარალელეპიპედს აქვს 3 სიმეტრიის სიბრტყე.



ნახ. 3. ინვერსიის ცენტრი. A_1—A_2 და B_1—B_2 იდენტური წერტილებია.

სიმეტრია კრისტალთა



ნახ. 4. ა—სხლტეტითი არეკვლის სიბრტყე (a), 1 და 3 ფიგურები ერთმანეთთან დაკავშირებულია მარტივი ტრანსლაციით (T — ტრანსლაციის სიდიდე), 1 და 2 ფიგურები—სხლტეტითი არეკვლის სიბრტყით (1-ლერ აირეკლება a სიბრტყეში, ხოლო შემდეგ t=T/2 ბიჯით გადაადგილდება მე-2 პოზიციაში). ასევე უკავშირდება ერთმანეთს მე-2 და მე-3 ფიგურები; ბ—მეოთხე რიგის ტრანსლაციური ღერძი (4_1). 1 და 5 ფიგურა ერთმანეთს უკავშირდება მარტივი ტრანსლაციით (T), 1 და 2, 2 და 3, 3 და 4, 4 და 5 კი—ერთდროულად ღერძის გარშემო 90°-ით მოტრიალებით და t=T/4 ბიჯით გადაადგილებით.

სიმინდასაღები კომბაინი. სიმინდასაღები კომბაინის „ხერსონეც 7" ტექნოლოგიური სქემა: 1—კარდანული გადაცემის მექანიზმი; 2—სიმინდის მწკრივების გამყოფები; 3—ამწეი ჯაჭვები, რომელთა დანიშნულებაა სიმინდის ჭირის პროცესში ღეროების დაჭერა; 4—მჭრელი აპარატი; 5—მიმწოდი ჯაჭვები მოჭრილ ღეროებს აწვდის ტაროს მოსაგლეჯ ვალცებს; 6—ტაროს მოსაგლეჯი ვალცები; 7—საჭუმაცებლის მილსადენი; 8—ფოთოლღეროვანი მასის საჭუმაცებელი; 9—სავალი თვალი; 10—ტაროების შნეკი; 11—მოწყობილობა, რომელიც ტაროებს საწმენდ ვალცებზე მიაჭერს; 12—ფუჩეჩის ვენტილატორი; 13—გაუწმენდავი ტაროების ტრანსპორტიორი; 14—საწმენდი ვალცები; 15—ფუჩეჩის ტრანსპორტიორი; 16—დაქანებული დაფა; 17—გაწმენდილი ტაროების ტრანსპორტიორი; 18—მისაბმელი მოწყობილობა; 19—მარცვლის შნეკი; 20 — ფუჩეჩის შნეკი; 21—ექსპაუსტერი.

ძები (მარტივი ანუ ბრუნვითი, სარკული და ინვერსიული), ს-ის სიბრტყე და ინვერსიის ანუ ს-ის ცენტრი. ბრუნვითი ს-ის ღერძი ეწოდება კრისტალში გამავალ წრფეს, რ-ის გარშემო კრისტალის გარკვეული კუთხით მობრუნების შემდეგ, კრისტალი შეუთავსდება თავის თავს. მობრუნების უმცირეს კუთხეს (α), რ-იც საკმარისია კრისტალის თვითშეთავსებისათვის, ეწოდება მობრუნების ელემენტარული კუთხე. მისი სიდიდე განსაზღვრავს ღერძის რიგს $\left(n=\frac{360°}{\alpha}\right)$. კრისტალებს მათი მესრული აგებულების გამო აქვს მხოლოდ I, II, III, IV და VI რიგის ღერძები (ნახ. 1). ღერძები აღინიშნება L_n-ით, (n=1, 2, 3, 4, 6), ან მხოლოდ რიგის აღმნიშვნელი ციფრებით: 1, 2, 3, 4, 6. ს-ის სიბრტყე ეწოდება კრისტალში გამავალ ისეთ წარმოსახვით სიბრტყეს, რ-იც კრისტალს ყოფს ორ ერთმანეთის სარკისებრი გამოსახულების მსგავს ნაწილად (ნახ. 2); აღინიშნება P-თი ან m-ით. ინვერსიის ცენტრი ეწოდება განსაკუთრებულ წარმოსახვით წერტილს კრისტალის შიგნით (მდებარეობით ემთხვევა გეომ. ცენტრს); ამ წერტილზე გატარებული ყოველი წრფე მისგან ორივე მხარეს გადაკვეთს კრისტალის იდენტურ წერტილებს (ნახ. 3); აღინიშნება C-თი. სარკული ღერძი არის რთული ს-ის ელემენტი, რ-იც შეესაბამება ორ თანმიმდევრულად ჩატარებულ ოპერაციას — მობრუნებას (ღერძის რიგის შესაბამისი კუთხით) და არეკვლას ამ ღერძის პერპენდიკულარულ სიბრტყეში; აღინიშნება λ_n-ით. რთული ს-ის ელემენტია აგრეთვე ინვერსიული ღერძი, რ-იც შეესაბამება მობრუნებას (ღერძის რიგის შესაბამისი კუთხით) და არეკვლას ამ ღერძზე მდებარე წერტილში — ინვერსირებას; აღინიშნება L_{in}-ით. უმრავლესობა რთული ს-ის ღერძების (λ_4-ისა და L_{i4}-ის გარდა) შესაბამისი ოპერაციები შესაძლებელია შეიცვალოს მარტივი ოპერაციებით; ხოლო რთული ს-ის ელემენტები — ეკვივალენტური მარტივი ელემენტებით: $\lambda_1=P$, $\lambda_2=C$, $\lambda_3=L_3P(P\perp L_3)$, $\lambda_6=L_3C$. $L_{i1}=C$, $L_{i2}=P$, $L_{i3}=L_3C$. კრისტალების დამახასიათებელი 32 წერტილოვანი ჯგუფი გაერთიანებულია 7 *სინგონიად*.

კრისტალის გარეგნული ფორმის და ფიზ. თვისებათა მახასიათებელ ვექტორთა განაწილების ს. განპირობებულია კრისტალის ატომური სტრუქტურის ს-ით, რ-იც აღიწერება ს-ის *სივრცითი ჯგუფით*. ატომური სტრუქტურის დამახასიათებელი ს-ის ოპერაციაა ტრანსლაცია (გადატანა) 3 არაპარალელური მიმართულებით, რ-იც განაპირობებს სტრუქტურის პერიოდულობას 3 განზომილებით. ტრანსლაციისა და წერტილოვანი ჯგუფების სიმეტრიის ოპერაციების კომბინაციის შედეგად ჩნდება ტრანსლაციური კომპონენტის შემცველი ოპერაციები და მათი შესაბამისი ს-ის ელემენტები (სხვადასხვა რიგის ტრანსლაციური ღერძები და სხლტეტითი არეკვლის სიბრტყეები, ნახ. 4). სივრცეში კრისტალის ფიზ. თვისებების განაწილების მაჩვენებელი ზედაპირის ს-ს აღწერს წერტილოვანი ჯგუფი, რ-იც ან ემთხვევა ამ კრისტალის გარეგნული ფორმის ს-ის წერტილოვან ჯგუფს, ან მისი სიმეტრია უფრო მაღალია. კრისტალის მრავალ. თვისებას აღწერს ე. წ. ზღვრული წერტილოვანი ჯგუფები, რ-ებიც შეიცავს უსასრულო რიგის ღერძებს.

მატერ. სამყაროს მრავალი ობიექტის ს-ის სრული აღწერა შეუძლებელია ჩვეულებრივი (კლასიკური) ს-ის ცნებებით. ასე, მაგ., ანტიფერომაგნეტიკის კრისტალებში ატომების ბირთვებისა და ელექტრონების განაწილების ასაწერად საკმარისი ჩვეულებრივი სივრცითი ს-ის ცნებები ვერ აღწერს ამავე კრისტალში მაგნ. მომენტების განაწილებას. ამიტომ ს-ის თანამედროვე თეორიაში მიმართავენ ს-ის სხვადასხვაგვარ განზოგადებას. მათ განეკუთვნება: *ანტისიმეტრია*, ფერადი ს., მსგავსების ს., მრუდხაზოვანი ს., ნაწილობრივი ს., სტატისტიკური ს. და სხვ.

ლიტ.: Вайнштейн Б. К., Симметрия кристаллов. Методы структурной кристаллографии, წგნ.: Современная кристаллография, т. 1, М., 1979; Вейль Г., Симметрия, пер. с англ., М., 1968; Загальская Ю. Г., Литвинская Г. П., Геометрическая микрокристаллография, М., 1976; Фёдоров Е. С., Симметрия и структура кристаллов, [М.], 1949; Шубников А. В., Симметрия и антисимметрия конечных фигур, М., 1951; Шубников А. В., Копцик В. А., Симметрия в науке и искусстве, 2 изд., М., 1972.

სიმეტრიულობა მათემატიკასა და ლოგიკაში, ბინარულ (ორადგილიან, ორწევრიან) მიმართებათა თვისება, რ-იც გამოხატავს მოცემული მიმართების შესრულების დამოუკიდებლობას მიმართებაში მყოფ ობიექტთა (რომელიმე წყვილისა) დალაგებისაგან. R მიმართებას ეწოდება სიმეტრიული, თუ განსაზღვრის არის ნებისმიერი ორი x და y ობიექტებისათვის xRy იწვევს yRx. სიმეტრიულ მიმართებათა მაგალითებია: ტოლობის (იგივეობის), ეკვივალენტურობის, მსგავსების) ტიპის მიმართებანი. R მიმართებას ეწოდება ანტისიმეტრიული, თუ xRy-იდან, როდესაც $x\neq y$, გამომდინარეობს $\neg yRx$ ($\neg$ — უარყოფაა). ანტისიმეტრიული მიმართებაა, მაგ. $a>b$. ლოგიკასა და ლოგიკა-მათ. ოპერაციებში ს-ის თვისებას ეწოდება კომუტატიურობა.

ს-ისა და კომუტატიურობის ცნება შეიძლება ბუნებრივად განზოგადდეს ობიექტთა ნებისმიერი რაოდენობის შემთხვევისთვისაც.

სიმაქსიდი ივანე ანესტის ძე [დ. 18 (31). XII. 1908, ქობულეთი], ქართველი საბჭ. მეცნიერი სამშენებლო ტექნიკის დარგში, ტექ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), რსფსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1978). სკკპ წევრი 1944-იდან. საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტის დამთავრების (1932) შემდეგ მუშაობდა მოსკ. ნავთობის ინ-ტში, 1943—63 — თეორ. მექან. კათედრის გამგედ მოსკ. ფოლადისა და შენადნობების ინ-ტში. 1947-იდან დღემდე საკავშ. დაუსწრებელი საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტის მასალათა გამძლეობისა და ფუძესაძირკვლების კათედრის გამგეა.

თხზ.: Расчет балок на сплошном упругом основании, М., 1958; Расчет инженерных конструкций на упругом основании, 4 изд., М., 1978.

სიმთვალეში ჩადენილი დანაშაული, ისეთ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული, რ-ის დროსაც ალკოჰოლის ან სხვა ნარკოტიკული ნივთიერების მიღების შედეგად ადამიანი მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს უნარს ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. საბჭ. კანონმდებლობის მიხედვით, პირი, რ-მაც სიმთვრალეში ჩაიდინა დანაშაული, არ თავისუფლდება სისხლის სამართ. პასუხისმგებლობისაგან (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 14). ისეთ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის მომენტში პიროვნება ნაწილობრივ შერაცხადი იყო, სისხლის სამართ. პასუხისმგებლობის საფუძველი იგივეა, რაც დანაშაულის სიფხიზლეში ჩადენის დროს, რადგან საბჭ. სისხლის სამართ. კანონმდებლობისათვის უცხოა შემცირებული შერაცხადობის ცნება. თუ პიროვნებამ დანაშაული ისეთი თრობის მდგომარეობაში ჩაიდინა, როდესაც მას დაკარგული ჰქონდა უნარი ანგარიში გაეწია ან ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის, იგი მაინც აგებს პასუხს სისხლის სამართ. წესით, თუკი მან თავისი ნებით ბრალეულად გაიხადა თავი შეურაცხადად. პასუხისმგებლობა დიფერენცირებული უნდა იქნეს იმის შესაბამისად, პირს დათრობის მომენტში დამდგარი საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი განზრახი ბრალი ჰქონდა თუ გაუფრთხილებელი. საბჭ. კანონმდებლობის მიხედვით, სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება (მ. 39, პ. 12).

ს. ჩ. ჯ-თვის პასუხისმგებლობა საინტერესოდაა დასაბუთებული ვახტანგ VI-ის სამართალში: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, ამისთვის რომ ის, რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევინებს?" (მ. 93). ა. გაბიანი.

სიმი, 1. რხევათა თეორიაში, წვრილი, მოქნილი, ძლიერ დაჭიმული ძაფი, რ-ის სიმკვრივე თანაბრადაა განაწილებული სიგრძეზე. აგზნებისას (მაგ., დარტყმით ან გამოკვრით) ს. იწყებს რხევითს მოძრაობას, რ-ის დროსაც მისი ყველა უბანი გადაადგილდება განივი მიმართულებით. 2. მუსიკაში, საკრავზე გაბმული მაყუთული, აბრეშუმის ძაფი და სხვ., რ-იც რხევის დროს მუს. ბგერას გამოსცემს (ძალი, ალჟა, ლარი). ძველად ს-ს აკეთებდნენ ხის ქერქის, მცენარეული ბოჭკოსა და ცხოველთა ბეწვისაგან (განსაკუთრებით ცხენის ძუისაგან). თანამედროვე მუს. საკრავების ს-ებს უმთავრესად ლითონისაგან (ფოლადი), იშვიათად ნაწლავებისაგან, აბრეშუმისა და სინთეზური ბოჭკოსაგან (კაპრონი, ნეილონი) ამზადებენ. დაბალი ტონების მისაღებად იყენებენ ე. წ. შემოხვეულ ს-ებს (რბილი ფოლადის მავთულზე ერთ ან ორრიგად ახვევენ წმინდა ძაფს).

ს. იხმარება აგრეთვე ზოგიერთ ელექტროაკუსტიკურ ხელსაწყოში.

სიმი, ქალაქი რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში, აშის რ-ნში, ურალის დას. კალთაზე, მდ. სიმის ნაპირზე. რკინიგზის სადგური უფა—ჩელიაბინსკის ხაზზე. სამხრ. ურალის მეტალ. ერთ-ერთი უძველესი ცენტრი. ლითონდასამუშ. მრეწვ., მექან. ქ-ნა.

სიმინდასაღები კომბაინი, მწიფე სიმინდის ასაღები, ტარებზე ფუჩეჩის შემოსაცილებელი და ფოთოლღეროვანი მასის დასაჭუმაცებელი მანქანა. ს. კ-ს „ხერსონეც 7" (ნახ.), რ-საც სსრკ-ში უშვებენ, აკომპლექტებენ 3 ტიპის საცვლელი საგლეჯი ვალცებით. ბიტერული ვალცების დანიშნულებაა სიმინდის სასილოსედ აღება და ფოთლების, ღეროებისა და ტაროების ერთდროულად დაჭუმაცება, აქტ. ვალცებისა კი—სიმინდის დაბაზების პერიოდში აღება და ღეროებისთვის ტაროების მოცილება. პასიური ვალცებით სიმინდის მარცვალს სრული სიმწიფის სტადიაში იღებენ. გაწმენდილი ტაროები

იყრება ს. კ-ზე მიბმულ ურიკაში. დაქუცმაცებული მასა იტვირთება ს. კ-ის გვერდით მოძრავ ტრანსპორტში. ს. კ. დააგრეგატებულია 3 ტ კლასის ტრაქტორზე. მუშა ორგანოებს ამუშავებს ტრაქტორის სიმძლავრის წასართმევი ლილვი კარდანული გადაცემის მეშვეობით. ს. კ-ის მწარმოებლურობაა 1 *ჰა/სთ*-მდე, პირმოდების განი — 1,4—1,8 *მ*; ერთდროულად იღებს 2 მწკრივს.

სიმინდი (Zea mays), ერთწლოვანი პალახოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა. მარცვლის შინაგანი აგებულებისა და მორფოლ. მიხედვით ს. იყოფა 9 ჯგუფად: ბუშტარა ს. (Z. m. everta), რბილი ს. (Z. m. amylacea), კბილა ს. (Z. m. indentata), ნახევარკბილა ს. (Z. m. semidentata), კაჟა ს. (Z. m. imdurata), ტკბილი ს. (Z. m. saccharata), რბილ-ტკბილი ს. (Z. m. amyleosaccharata), ცვილა ს. (Z. m. ceratina), კილიანი ს. (Z. m. tunicata).

ს. ერთსახლიანი; გაყოფილსქესიანი მცენარეა. აქვს 50—80 *სმ*-იდან 5—6 *მ*-მდე სიმაღლის სწორმდგომი ღერო. ფოთოლი ფართო ლანცეტისებრია, ზემოდან შებუსული, მორიგეობით განლაგებული. მამრობითი ყვავილედი (ღეროს წვერზე) საგველაა, მდედრობითი (ფოთლის იღლიაში) — ტარო, რ-ის სიგრძე 4—50 *სმ*, მასა 30—500 *გ* აღწევს. ღეროზე 1—2, ან იშვიათად 3 ტაროა. ნაყოფი მარცვალია. 1000 მარცვლის მასა 50—1100 *გ*., ჩვეულებრივ 100—400 *გ*. მარცვალი ღივდება 10—11°C ტემპ-რაზე. ს. თბილი და ტენიანი კლიმატის მცენარეა. მისი სამშობლოა ცენტრ. და სამხრ. ამერიკა. რუსეთში გავრცელდა XVII ს-ში. საქართველოშიც პირველად XVII ს-ში შემოიტანეს. შემდეგ გავრცელდა ჩრდ. ოსეთში, ყირიმში და სხვ. მსოფლიოში ს-ის ნათეს ფართობს ხორბლის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. ს. მაღალპროდუქტიულია და მრავალმხრივ იყენებენ. მარცვალში 65—70% ნახშირწყლებია, 11,3—14,2% ნედლი პროტეინი, 4—6% ცხიმი (ჩანასახში 40%-მდე) და 9—12% ცილა. ს-ის მარცვლისაგან ღებულობენ კრისტ. შაქარს, სახამებელს, გლუკოზას, სპირტს, ზეთს და სხვ. ბუშტარა და კაჟა ს-გან ამზადებენ ბურღულს, ფქვილს, იყენებენ კულინარიაში. მარცვალსა და ვეგეტატიურ ნაწილებს ხმარობენ ცხოველთა საკვებად. ს-ის მწვანე მასა ძვირფასი სასილოსე მასალაა. ს-ის ღეროსა და ნაქუჩისაგან ქიმ. და სამეურნეო დანიშნულების 40-მდე პროდუქტს ამზადებენ. ს-ს თესავენ სამარცვლედ, სასილოსედ, მწვანე საკვებად, ამავე დროს თესავენ როგორც ცალკე, ისე ლობიოს, სოიას, გოგრისა და სხვ. კულტურებთან ერთად. თესლბრუნვაში თესავენ უმთავრესად საშემოდგომო თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ. მოჰყავთ აგრეთვე მონოკულტურად. თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ ნიადაგს ჯერ აჩეჩავენ, შემდეგ ხნავენ შემოდგომაზე (მზრალად) 22—30 *სმ* სიღრმეზე, ხვნის წინ შეაქვთ ორგ. და ფოსფორ-კალიუმიანი მინერ. სასუქები; აზოტიანი სასუქის ნაწილი შეაქვთ მომდევნო გაზაფხულზე თესვისწინა დამუშავების დროს, დანარჩენი — მცენარის გამოსაკვებად. ს-ს თესავენ როცა ნიადაგის ტემპ-რა 10 *სმ* სიღრმეზე არის 10—11°C. თესავენ ფართო მწკრივად (70 *სმ*), ან კვადრ.-ბუდობრივად (70×70 *სმ*). ნათესის მოვლა გულისხმობს აღმონაცენის დაფარცხვას, ბუდნების და მწკრივების გამონშირვას (3—4 ფოთლის ფაზაში), მწკრივთშორისების 2—3-ჯერ კულტივაციას, სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდების გამოყენებას და სხვ. ამჟამად შემუშავებულია და ფართოდ ხორციელდება ს-ის ინდუსტრ. ტექნოლოგია. საქართველოში დარაიონებულია ჰიბრიდები: ქართული 9 ტვ, ქართული 52, ენგური, ვირ 42, კრასნოდარის 5 ტვ და 303, ივერია 503; ჯიშები: აბაშური ყვითელი, აჯამეთის თეთრი და სხვ. კარგი აგროტექ. და ხელსაყრელ პირობებში მარცვლის მოსავლიანობა 1 *ჰა*-ზე 130 *ც* აღწევს. ს-ის ძირითადი მავნებლებია მავთულა და ცრუმავთულა ჭიები, ღეროს ფარვანა, ბამბის ხვატარი და სხვ.; დაავადებები: ბუშტოვანი და მტვრიანი გუდაფშუტა, ფუზარიოზი, სიმინდის თეთრა და სხვ.

ლიტ.: წულუკიძე მ., თედორაძე ს., სიმინდის მოსავლიანობის გადიდება პიბრიდიზაციის საშუალებით, თბ., 1955; *ჯაფარიძე ა.,* მემცენარეობა, თბ., 1975; *Шмараев Г. Е.*, Кукуруза, М., 1975.

ს. თედორაძე.

სიმინდის ზეთი, *მცენარეული ზეთი*, მიიღება სიმინდის ჩანასახიდან (Zea mays). ქიმ. შედგენილობით პკავს მზესუმზირას ზეთს; შეიცავს (%-ით) სტეარინის (2,5—4,5), პალმიტინის (8—11), მირისტინის (0,1—1,7), არაქინის (0,4), ოლეინის (30—49), ლინოლის (40—56) და სხვ. მჟავებს. ს. ზ-ს იყენებენ კვების მრეწველობაში და სხვ.

სიმინდის სათესელა, მანქანა, რ-იც ერთდროულად არსულებს ორ პროცესს: თესავს სიმინდის დაკალიბრებულ თესლებს და შეაქვს გრანულირებული სასუქი. სსრკ-ში კვადრ.-ბუდობრივი და პუნქტირული თესვისათვის იყენებენ სკნკ-6 და სკნკ-8 ს. ს-ებს. კვადრ.-ბუდობრივი თესვისათვის ისინი აღჭურვილია საზომი მავთულით. პუნქტირული თესვისათვის სკპნ-8-საც იყენებენ, მანქანის მუშა ორგანოებს ამოძრავებს საყრდენ-ამძრავი ჭოლები და საზომი მავთული. სკპნ-8-ს არა აქვს თესლებისა და სასუქისათვის ბუდის წარმომქმნელი მოწყობილობები. ს. ს-ების მწარმოებლურობა: სკნკ-6—3,5 *ჰა/სთ*-მდე; სკნკ-8 — 2,2 — 2,9 *ჰა/სთ*; სკპნ-8—4,5 *ჰა/სთ*-მდე.

სიმიძუ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, სიძუოკის პრეფექტურაში. 242 ათ. მცხ. (1980). საგარეოსავაჭრო ნავსადგური სურუგის ყურეში. ალუმინის, კეების, ნავთობგადასამუშ., ხის დასამუშ. მრეწვ. საწარმოები, გემთაშენები. თევზჭერა.

სიმკვრივე (*ρ*), ფიზიკური სიდიდე, რ-საც ერთგვაროვანი ნივთიერებისათვის განსაზღვრავენ მისი მოცულობის ერთეულის მასით. არაერთგვაროვანი ნივთიერების ს. არის მოცულობასთან მასის ფარდობის ზღვარი, როცა მოცულობა მიისწრაფვის იმ წერტილისაკენ, რ-შიც განისაზღვრება. ს.

ორი ნივთიერების ს-თა ფარდობას განსაზღვრულ სტანდარტულ ფიზ. პირობებში უწოდებენ ფარდობითს ს-ს, რ-საც თხევადი და მყარი ნივთიერებისათვის განსაზღვრავენ გამოხდილი წყლის ს-ის მიმართ 4°C-ზე, აირებისათვის — მშრალი ჰაერის ან წყლის ს-ის მიმართ *ნორმალურ პირობებში*, ხოლო სხეულის საშუალო ს-ს — *m* მასის ფარდობით მის *V* მოცულობასთან, ე. ი. $\rho = m/V$. ს-ის ერთეულად SI სისტემაში მიღებულია *კგ/მ*^{3}, ერთეულთა CGS სისტემაში *გ/სმ*^{3}. პრაქტიკაში სარგებლობენ აგრეთვე ს-ის სისტემის გარეშე ერთეულებით: *გ/ლ*, *ტ/მ*^{3} და სხვ.

ფოროვანი და ფხვიერი სხეულებისათვის განარჩევენ ჭეშმარიტ ს-ს (განსაზღვრავენ სხეულში არსებული სიცარიელეების გაუთვალისწინებლად) და მოჩვენებითს ს-ს (სხეულის მასის ფარდობა თავის მიერ დაკავებულ მთელ მოცულობასთან). ს., როგორც წესი, მცირდება ტემპ-რის გადიდებით და იზრდება წნევის გაზრდით. ნივთიერების აგრეგატული გარდაქმნისას ს. იცვლება ნახტომისებურად. ს-ს. ზომავენ *არეომეტრით*, პიკნომეტრით, სიმკვრივესაზომით და სხვ.

ბუნებრივი სხეულებისა და გარემოს ს-ის მნიშვნელობის დიაპაზონი ძალიან ფართოა. მაგ., ვარსკვლავთაშორისი გარემოს ს. არ აღემატება 10^{-21} *კგ/მ*^{3}, ხოლო ნეიტრონული ვარსკვლავების ს. აღწევს. 10^{20} *კგ/მ*^{3}.

სიმკვრივე სიმრავლისა, *სიმრავლეთა თეორიის* ცნება. *E* სიმრავლეს ეწოდება მკვრივი *M* სიმრავლეში, თუ *M* სიმრავლის ყოველი წერტილი წარმოადგენს *E* სიმრავლის ზღვრულ წერტილს, ე. ი. ყოველ მიდამოში არის *E* სიმრავლის წერტილი. მთელ წრფეზე მკვრივ სიმრავლეებს ეწოდება ყველგან მკვრივი. სიმრავლეს ეწოდება ყველგან არამკვრივი, თუ ის არ არის მკვრივი არც ერთ ინტერვალში (სხვა სიტყვებით— თუ წრფის ყოველი ინტერვალი შეიცავს ქვეინტერვალს, რ-იც თავისუფალია სიმრავლის წერტილებისაგან). იხ. აგრეთვე სტ. *ტოპოლოგია*.

სიმონ I (1537—1611), ქართლის მეფე 1556—69, 1578—1599, ლუარსაბ I-ის ძე. *გარისის პრძოლაში* 1556 მოხუცმა მამამ ქართლის შემტევი ლაშქრის მეთაურად დანიშნა. ახალგაზრდა უფლისწულმა თავი გამოიჩინა როგორც საზრიანმა და მამაც მხედართმთავარმა. 1569 ქართლის ტახტზე ასვლის შემდეგ ს. ცდილობდა ქვეყნის გაერთიანებას. 1570-იან წლებში ს. ომობდა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1578 ს. ქართლის ტახტზე დაბრუნდა. 1583 ს. ალყა შემოარტყა ოსმალთა მიერ დაკავებულ თბილისს, მაგრამ ვერ აიღო. 1585 ს. ალყა შემოარტყა ერევანს, მაგრამ ვერც ერევანი აიღო. 1590 ს. ალყა შემოარტყა ახალციხეს, მაგრამ ვერც ახალციხე აიღო. 1591 ს. ალყა შემოარტყა ბორჯომის ციხეს, მაგრამ ვერც ბორჯომის ციხე აიღო. 1595 ს. ალყა შემოარტყა ქუთაისს, მაგრამ ვერც ქუთაისი აიღო. 1599 ს. ალყა შემოარტყა ბორჯომის ციხეს, მაგრამ ვერც ბორჯომის ციხე აიღო. 1599

მაცმა სარდალმა და ქართლიდან გარეკა შემოსეული ყიზილბაშები. ს. I-ის გამეფების დროს თბილისი ყიზილბაშების ხელში იყო და მეფეს რეზიდენცია ქ. გორში ჰქონდა. 1556–59 ს. I მეთაურობდა განუწყვეტელი ომიანობით განადგურებული ქვეყნის აღდგენა-შენებას, შემდეგ კი ყიზილბაშთაგან ქართლის განთავისუფლების საქმეს შეუდგა. 1559 კავშირი შეკრა კახეთის სამეფოსთან, რაც ს. I-ისა და კახთა მეფის ლევანის ასულის ქორწინებით გამოიხატა. 1560–61 ს. I შეეცადა თბილისის განთავისუფლებას, მაგრამ 1561 აპრილში დამარცხდა *ციხედიდის ბრძოლაში*. 1562 ს. I-ის ძმა დავითი (დაუთ-ხანი) გამაჰმადიანდა და შაჰის სამსახურში ჩადგა. შაჰმა დაუთ-ხანი ყიზილბაშთა ჯარით ქართლში გამოგზავნა. 1567 და 1569 დიღომთან და სამადლოსთან ბრძოლებში ს. I-მა დაამარცხა დაუთ-ხანი. 1569 ფარცხისის ბრძოლაში (ალგეთის ხეობა) ღალატის წყალობით ს. I ტყვედ ჩავარდა. მან მტკიცე უარი განაცხადა მაჰმადიანობის მიღებაზე და 1569–78 ირანში ტყვეობაში იტანჯებოდა.

ირან.-ოსმ. ომის დაწყებისთანავე (1578) შაჰმა ს. I ტყვეობიდან გაათავისუფლა და ქართლის მეფედ დანიშნა. ქართლში დაბრუნებისთანავე ს. I-მა პარტიზ. ომი გააჩაღა ოსმალების წინააღმდეგ, რ-ებსაც თბილისი და მთელი ქართლი დაპყრობილი ჰქონდათ. მალე ს. I-მა ოსმალთაგან გაათავისუფლა ლორე, გორი და სხვ. ციხესიმაგრეები. 1579 ს. I-მა ალყა შემოარტყა თბილისს. ოსმალთა მთავარი ამოცანა გარნიზონის სურსათით მომარაგება გახდა, მაგრამ ს. I-მა არაერთხელ დაამარცხა ამ მიზნით ქართლში შემოსული ოსმალთა რაზმები. 1580-ის ზაფხულში სულთანმა სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად სინან-ფაშა დანიშნა, მაგრამ ვერც მან შეძლო ს. I-ის დამორჩილება. 1582 ს. I-მა კავშირი შეკრა *მანუჩარ II* ჯ ა ყ ე ლ თ ა ნ. იმავე წელს *მუხრანის ბრძოლაში* ს. I-მა დაამარცხა სულთნის ლაშქარი. ამავე დროს აჯანყება დაიწყო სამცხე-საათაბაგოში, 1579 ოსმალთა მიერ გაუქმებული ათაბაგობა აღდგა. 1584 სულთანმა ქართლში გამოგზავნა ახ. სარდალი ფერჰად-ფაშა. 1585 ს. I-მა აიღო ლორე, რ-იც მალე ისევ ოსმალებმა დაიბრუნეს. 1587 ფერჰად-ფაშამ შეძლო სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ხელისუფლების აღდგენა. 80-იანი წწ. II ნახევარში ოსმალეთი მთელ ამიერკავკასიას დაეუფლა. 1588 ს. I დაუზავდა ოსმალეთს; ქართლმა ხარკი იკისრა, სანაცვლოდ ოსმალეთმა ცნო ქართლის ქრისტიანი მეფე. ს. I-ის მეთაურობით ქართლის მოსახლეობის გმირულმა ბრძოლამ სულთნის ხელისუფლება აიძულა ხელი აეღო ქვეყნის სრული დაპყრობის პოლიტიკაზე. 1590 ირან-ოსმ. ზავის საფუძველზე მთელ საქართველოში ოსმ. გავლენა დამყარდა.

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ს. I იბრძოდა ქვეყნის გასაერთიანებლად. 80-იან წლებში დას. საქართველოში შინაფეოდ. ბრძოლები მიმდინარეობდა. 1588 *გოფანთის ბრძოლაში* ს. I-მა დაამარცხა იმერეთის მეფე ლევანი (1583–90), მაგრამ ქართლში ოსმალთა მძლავრობამ ხელი შეუშალა მოპოვებული გამარჯვების განმტკიცებას და ლევანი ისევ დაეუფლა ტახტს. 1590 ს. I-მა კვლავ ილაშქრა იმერეთში, აიღო ქუთაისი, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო. მორიგი ლაშქრობის დროს კვლავ აიღო ქუთაისი, კვარა, სკანდა, კაცხი, მაგრამ ოფშკვითთან ბრძოლაში დამარცხდა. ქართლისა და დას. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. 1595 სპარსეთმა, ქართლმა და კახეთმა კავშირი შეკრეს ოსმალეთის წინააღმდეგ. 1598 ს. I-მა განაახლა ბრძოლა და ალყა შემოარტყა გორის ციხეს. ამავე დროს ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო სამცხე-საათაბაგოში. 1599 ს. I-მა გორის ციხე აიღო. სულთანმა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა საქართველოში ჯაფარ-ფაშას მეთაურობით. ნახიდურთან ბრძოლაში ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. სოფ. ფარცხისთან (ახლანდ. თეთრი წყაროს რ-ნი) ს. I ტყვედ ჩავარდა (1599), იგი სტამბოლში გაგზავნეს და იქ დიდ ყულეში (შვიდკოშკა) ციხეში გამამწყვდიეს. ქართველების ცდა, დაეხსნათ ს. I, უშედეგო აღმოჩნდა და იგი ტყვეობაში გარდაიცვალა.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე შ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 1971.

ვ. გუჩუა.

სიმონ II (გ. 1630 ან 31), ქართლის ხანი (ქართული წყაროებით — მეფე) 1619–30/31. ირანში გაზრდილი, მაჰმადიანი, ბაგრატ VII-ის (ბაგრატ-ხანი) ძე. მცირეწლოვანი ს. II ქართლის ხანად დანიშნა ირანის შაჰმა აბას I-მა და მრჩევლად დაუყენა გიორგი სააკაძე, რ-იც ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. 1625 მარტში, გ. სააკაძის მეთაურობით ირანის წინააღმდეგ აჯანყების დროს, ს. II ყიზილბაშებთან ერთად თბილისიდან გაიქცა და აღჯაყალის ციხეში (ახლანდ. მარნეულის რ-ნი) ჩაიკეტა. ქართლ-კახეთში თეიმურაზ I გამეფდა. *მარაბდის ბრძოლის* (1625 ივლ.) შემდეგ შაჰმა ს. II აღადგინა ქართლის ხანად, მაგრამ მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა, ქართლის დანარჩენ ნაწილს თეიმურაზ I ფლობდა. *ბაზალეთის ბრძოლის* (1626) შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თეიმურაზ I შეუთანხმდა ზურაბ არაგვის ერისთავს და მოაკვლევინა ს. II.

ლიტ. იხ. სტ-თან ს ი მ ო ნ I. *ვ. გუჩუა.*

სიმონაიტიტე ევა (23. I. 1897, სოფ. ვანაგაი, ახლანდ. კლაიპედის რ-ნი, — 23. VIII. 1978), ლიტ. მეცნ. საბჭ. მწერალი. ლიტ. სსრ სახ. მწერალი (1967). რომანებისათვის „შიმონისების ბედი" (1935) და „ვილიუს კარალიუსი" (ნაწ. 1–2, 1939–56) მიენიჭა ლიტ. სახელმწ. პრემია (1936) და ლიტ. სსრ სახელმწ. პრემია (1958). ს-ს ეკუთვნის ავტობიოგრ. ტრილოგია „ასე იყო..." (1960), „სხვის სახლში" (1962), „დაუმთავრებელი წიგნი" (1965). ს-ს ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. დაჯილდოებულია 3 ორდენით.

სიმონ ბატონიშვილი (ბ აგ რ ატ ი ო ნ ი) (3. II. 1683,— 26. I. 1740), ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ვახტანგ VI-ის ძმა. აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კარის საქმიანობაში. როდესაც ვახტანგი სპარსეთში გაემგზავრა, ს. ბ. ქართლის გამგედ დატოვა (1712–16). მეფე იესეს დროსაც გამგედ იყო. შემდეგ თან გაჰყვა ვახტანგ VI-ს რუსეთში, სადაც გარდაიცვალა (დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში). ს. ბ-ის განკარგულებითა და ხარჯით თბილისში დაიბეჭდა ერთ-ერთი პირველი ქართ. წიგნი „კურთხევანი" (1713).

ლიტ.: დ ო ნ დ უ ა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712–1745), «მნათობი», 1953, [ტ.] 3; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

სიმონგულოვი ვართან ალექსანდრეს ძე (25. V. 1908, სოფ. ჩხარი, თერჯოლის რ-ნი, — 1. II. 1969, თბილისი), საბჭ. ექიმი, ინფექციონისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). სკკპ წევრი 1939-იდან. 1931 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1941–43 იყო ევაკოჰოსპიტლების უფროსის მოადგილე სამედ. დარგში. 1947-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ინფექციურ სნეულებათა კათედრას. ს. შეისწავლიდა ინფექციური დაავადებების (გრიპი, ქოლერა, ნაღვლის ინფექციები, ინფექციური ჰეპატიტი, ჭბაყურა და სხვ.) კლინიკისა და მკურნალობის საკითხებს, ეწეოდა პედ. და საზ. მოღვაწეობას. იყო ჯანდაცვის საერთაშ. ორგანიზაციის ექსპერტების საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: გრიპი და მისი მკურნალობა, თბ., 1958; ქოლერა, თბ., 1967 (თანაავტ.: თ. გეგია).

სიმონ I გურიელი, გურიის გამგებელი დაახლ. XVI ს. შუა წლებში. ცნობილია მისი ფრესკული პორტრეტი ზარზმაში, რ-ის წარწერაშიც ს. I ბ. მოიხსენიება როგორც „ერისთავთერისთავი, სვანთა ერისთავი", „მსახურთუხუცესი გურიელი".

ქ. ჩხატარაიშვილი.

სიმონ II გურიელი (1606 — გ. დაახლ. 1672), გურიის მთავარი 1625, 1658. *მამია II გურიელის* ძე. 1621 შეირთო მანუჩარ I დადიანის ასული მარიამი. 1625 მოკლა მამა და გურიის მთავარი გახდა. იმავე წელს სოფ. ლანჩხუთთან ბრძოლაში დაამარცხა ლევან II დადიანმა, დააბრმავა და მისი ცოლ-შვილი ოდიშს წაიყვანა. 1658 იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ და დადიანმა სიმონი კვლავ მთავრის ტახტზე აიყვანეს და აშვილეს გურიელთა სახლისშვილი დემეტრე, რ-იც განაგებდა საშთავროს. ს. II ბ. ბერად შედგა და იერუსალიმს გაემგზავრა, სადაც აქტიურად იბრძოდა ქართ. ეკლესია-მონასტრების ინტერესების დასაცავად.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ქ. ჩხატარაიშვილი.

სიმონ III გურიელი, გურიის მთავარი 1788–92, გიორგი V გურიელის ძე. მხარს უჭერდა იმერეთის ტახტისთვის მებრძოლ დავით გიორგის ძეს. 1790 ხელი მოაწერა *საქართველოს სამეფო-სამთავროების ტრაქტატს.*

ქ. ჩხატარაიშვილი.

სიმონეთი, ზ ე დ ა ს ი მ ო ნ ე თ ი, სოფელი თერჯოლის რ-ნში, სიმონეთის ვაკესა და ბორცვიან მთისწინეთზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 360 *მ*, თერჯოლიდან 15 *კმ*, არგვეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. დ. კლდიაშვილის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა, მეჩაიეობა). დაწყ. და საშ. სკოლები, 2 ბ-კა, კლუბი, დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი, მედპუნქტი, აფთიაქი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები; კავშირგაბმ. განყ-ბა.

სიმონეთი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (თხილნარის სოფსაბჭო), მდ. ჭოროხის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 220 *მ*, ხელვაჩაურიდან 10 *კმ*. ა. ჟდანოვის სახ. მახოს კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა; დაფნა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. მახოში (5 *კმ*). კლუბი.

სიმონი (გ. 1701), იმერეთის მეფე 1698–1701. ალექსანდრე IV-ის უკანონო შვილი. იზრდებოდა ქართლის მეფის ერეკლე I-ის კარზე, იმერეთის სამეფო ტახტზე კი ვახტანგ V-ის ძე *არჩილ II* იჯდა. ეს ოსმ. ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ახალციხის ფაშამ არჩილი გააძევა და იმერეთში ს. გაამეფა. ამ პერიოდის იმერეთში ფეოდ. ანარქიის შედეგად პირველობდა თავადი გიორგი აბაშიძე, რ-მაც ს-ს თავისი ასული ანიკა მიათხოვა ცოლად. გიორგი აბაშიძემ და მისმა მეორე ასულმა თამარმა (ალექსანდრე IV-ის ქვრივი) ს. აიძულეს ქართლში გაქცეულიყო. ს. ისევ ერეკლე I-ს შეეკედლა. მამია III გურიელის ინიციატივით ახალციხის ფაშამ ს. ისევ მეფედ დასვა და ცოლად მამიას და შერ-

თეს. ს-ისა და გურიელის გათიშვის მიზნით აბაშიძემ გურიელს მეფობა აღუთქვა: 1701 ს. მოკლეს და იმერეთში მამია III გურიელი გაამეფეს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1920. *ო. სოსელია.*

სიმონია (სახელწ. მომდინარეობს სვიმონ მოგვის სახელიდან, რ-იც, სახარების მიხედვით, მოციქულებს სთხოვს მიანიჭონ „წმინდა სული" გამჟღებლობის უნარი), საეკლესიო თანამდებობისა და სასულიერო წოდებების ყიდვა-გაყიდვა; გაერცელებული იყო შუა საუკ. დას. ევროპაში. ფართოდ იყენებდნენ პაპები, მეფეები და ფეოდალები. კლიუნიელთა (იხ. *კლიუნიელთა ორდენი*) რეფორმის მომხრეების ძირითადი მოთხოვნა ს-ის გაუქმება იყო. ტერმ. „ს." კლიუნიელებმა დაამკვიდრეს.

სიმონიანოხევი, სოფელი თიანეთის რ-ნში, ერწოს ქვაბულის ჩრდ.-დას. ნაწილში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., გორანა, თოლენჯი, მელიასხევი, ნადოკრა, ჩიტაურები, ცალულელაანთკარი). ზ. დ. 1:20 *მ*, თიანეთიდან 26 *კმ*. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა, კულტსახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სოფლის სამხრ-ით ადრინდ. შუა საუკ. ნამოსახლარი და სამაროვანია. 1967 შემთხვევით ნაპოვნი მდიდრული სამარხების მასალიდან შემორჩა კეისარ ავგუსტუსის ოქროს აურეუსის III ს. ადგილობრივი მინაბაძი. ადგილ ლამებში გამოვლინდა სამაროვანი. გაითხარა (რ. რამიშვილი) 2 ქვის სამარხი, ერთ-ერთ საოჯახო სამარხში იყო ბრინჯაოს აბზინდა და რგოლები, რკინის ბეჭედი, მინის მძივები და სხვ.

1924 სოფლის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა განძი. მასში იყო სასანური ვერცხლის მონეტები. განძი ჩაფლული უნდა იყოს VI ს. შუა წლებში.

სოფელში არის მარიამწმინდის, ლომისას, ჯაჭველის, ადგილისდედის და სხვა ხატ-სალოცავები, რ-თა გარშემო ნასახლარებია.

ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1978, № 1; Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XII вв., Тб., 1979.

რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე.

სიმონიანი კარაპეტ სიმონის ძე (16. VI. 1916, თბილისი, — 10. XII. 1983, იქვე), საბჭოთა კავშირის გმირი (15. I. 1940), მაიორი (1955). სკკპ წევრი 1942-იდან. თბილ. მუშა-ახალგაზრდობის რკინიგზის მე-3 საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ (1938), გაიწვიეს წითელ არმიაში. სსრკ-ფინ. ომში (1939—40) გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იყო ბატარეის მეთაური, დივიზიონის მეთაურის მოადგილე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და ჰედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

სიმონიდე ამორგოსელი (Simōnides ho Amorgos), ძვ. წ. VII ს. ბერძენი ლირიკოს-იამბოგრაფოსი. წერდა უპირატესად იამურ ლექსებსა და ელეგიებს. მასვე შეუთხზავს „სამოსის ისტორია". მისი ყველაზე ვრცელი ლექსი, რ-მაც ჩვენამდე მოაღწია, არის „სატირა ქალებზე".

სიმონიდე კეოსელი (Simōnides ho Keos) (ძვ. წ. 556, კეოსი, — ძვ. წ. 468, აკრაგანტი, სიცილია), ბერძენი ლირიკოსი პოეტი, საგუნდო პოეზიის ანუ ქორიკის კლასიკოსი. თხზავდა ენკომიონებს—გამარჯვებულ გმირთა სახოტბო სიმღერებს, რ-თაგან ცნობილი იყო თრენოსები (მაგ., „დანაეს ტირილი") და ეპინიკიები. მასვე მიაკუთვნებენ დითირამბებსა და გნომურ-სენტენციური ხასიათის ეპიგრამებს. ჩვენამდე მოღწეულია ს. კ-ის სიმღერების ნაწყვეტები.

სიმონიშვილი ვარლამ ოქროპირის ძე (1884, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 23. III. 1950, ქ. მახარაძე), ქართული ხალხური სიმღერის ოსტატი, თვითმოქმედი გუნდების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). სკკპ წევრი 1921-იდან. 1902-იდან გალობას ასწავლიდა ოზურგეთის სას. სასწავლებელში. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ფ. ქორიძეს, გაეცნო ევრ. სანოტო დამწერლობას და დაეუფლა პროფ. ჩვეულებრივ თვითმოქმედი გუნდის ხელმძღვანელობისათვის. 1903-იდან ჩამოაყალიბა გუნდები გურიასა და აჭარაში. ხშირად მართავდა კონცერტებს. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. დაინიშნა გურიის სამაზრო რევოლუციური გუნდების ხელმძღვანელად. 1929 ოზურგეთის აბრეშუმის ქ-ნაში ჩამოაყალიბა 90-კაციანი შერეული გუნდი.

ს. ქმნიდა სიმღერებსაც („გაზაფხული", „დათვების ლხინი", „წითელი არმიის 20 წელი", „ძველი ხელხვავი", „ადიდა" ს. ჩაელეიშვილთან ერთად; საჩონგურო სიმღერები „დილა", „ახლა ეხედავ, საყვარელო", „საქართველოს მზე ეწვია", „პატაკი სტალინს" და სხვ.). ს-მა მრავალი მომღერალი აღზარდა, რ-ებიც წარმატებით აგრძელებენ ს-ის საქმიანობას.

ლიტ.: გეგეჭკორი ლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, წგნ. 1, თბ., 1954.

სიმონოვი ევგენი რუბენის ძე (დ. 21. VI. 1925, მოსკოვი), საბჭ. რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1975). რ. *სიმონოვის* შვილი. 1947 დაამთავრა შჩუკინის სახ. თეატრ. სასწავლებელი. 1968-იდან ვახტანგოვის სახ. თეატრის მთავარი რეჟისორია (1962—68 მცირე თეატრის მთავარი რეჟისორი). დადგა სპექტაკლები: დე ფილიპოს „ფილუმენა მარტურანო" (1956), ა. პუშკინის „მცირე ტრაგედიები" (1959), არბუზოვის „ირკუტსკული ამბავი" (1959), პოგოდინის „თოფიანი კაცი" (1970), შექსპირის „ანტონიუს და კლეოპატრა" (1971), კორნეიჩუკის „ფრონტი" (1975) — ვახტანგოვის სახ. თეატრში; გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" (1963) — მცირე თეატრში. 1947-იდან ასწავლის შჩუკინის სახ. თეატრ. სასწავლებელში. ავტორია პიესებისა: „ალექსი ბერეჟნოი" (1962, ვახტანგოვის სახ. თეატრი) და „ჯონ რიდი" (1967, მცირე თეატრი). სსრკ სახელმწ. პრემია (1980). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლით.

სიმონოვი კონსტანტინე (კირილ) მიხეილის ძე [15 (28). XI. 1915, პეტროგრადი, — 28. VIII. 1979, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სოციალ. შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1942-იდან. დაამთავრა მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1938). ლიტ. მოღვაწეობა 1934-იდან დაიწყო. ს-ის დინამიკურმა, ქმედითი პათოსით აღსავსე ლექსებმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება (30-იანი წწ. ლირიკა და პიესა „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", 1941; სსრკ სახელმწ. პრემია, 1942). ს. მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებისეულ მოვლენებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა მისი ომისდროინდელი ლირიკა (კრებ. „შენთან და უშენოდ", 1942; „ომი", 1944 და სხვ.), პიესა „რუსი ადამიანები" (1942; სსრკ სახელმწ. პრემია, 1943), მოთხრ. „დღეები და ღამეები" (1943—44; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946); აგრეთვე შემდეგი პერიოდის პიესები „რუსული საკითხი" (1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1947), „სხვისი ჩრდილი" (1949; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950); ლექსების კრებ. „მეგობრები და მტრები" (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949). ფართოდ გახმაურდა ს-ის ტრილოგია „ცოცხლები და მკვდრები" (ლენინური პრემია, 1974; რომანები: „ცოცხლები და მკვდრები", 1954—59, „ჯარისკაცებად არ იბადებიან", 1963—64; „უკანასკნელი ზაფხული", 1970—71). ს-ს ეკუთვნის აგრეთვე „სამხრეთული მოთხრობები" (1956—61), „ლოპატინის ჩანაწერებიდან" (1965), „ოცი დღე უომრად" (1972); პიესები, კინოსცენარები, პოემები, მოგზაურობათა წიგნები და სხვ. ს. ქართ. კულტ. დიდი დამფასებელი იყო. წლების მანძილზე განაგებდა სსრკ მწერალთა კავშირის ქართ. ლიტ-რის განყ-ბას. იყო „ლიტერატურნაია გაზეტას" (1950 — 54), ჟურნ. „ნოვი მირის" (1946—50, 1954—58) რედაქტორი. სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1952—56), სკკპ ცსკ-ის წევრი (1956—61 და 1976-იდან გარდაცვალებამდე), სსრკ II და III მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მშვიდობის დაცვის საბჭ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი (1949-იდან), სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1954—59 და 1967-იდან). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—6, М., 1966—70; დღეები და ღამეები, თბ., 1950; სამხრეთული მოთხრობები, თბ., 1978.

გ. გეენეტაძე.

სიმონოვი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე [21. XI (4. XII). 1901, სამარა, ახლანდ. კუიბიშევი, — 20. IV. 1973, ლენინგრადი], საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1950), სოციალ. შრომის გმირი (1971). 1924-იდან ლენინგრ. პუშკინის სახ. დრამის თეატრის მსახიობი (1932—33 მუშაობდა კუიბიშევის თეატრში). საუკეთესო როლები: მეხონოშვილი (რომაშოვის „კრიეორილსკის აღსასრული", ვერშინინი (ვ. ივანოვის „ჯავშნოსანი მატარებელი 14—69"), სემიონი (იანოვსკის „რისხვა"), ბერესტი (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი"), გენერალი მურავიოვი (ჩირსკოვის „გამარჯვებულნი"), ხლებნიკოვი (შტეინის „პერსონალური საქმე"), პროტასოვი (ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეშები"), სატინი (გორკის „ფსკერზე"), სალიერი (პუშკინის „მოცარტი და სალიერი"), მათიას კლაუზენი (პაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ") და სხვ. კინოში იღებდნენ 1924-იდან. როლები: არტიომი („კაინი და არტიომი", 1929), ჟიხარევი („ჩაპაევი", 1934), ჩუიკოვი (სტალინგრადის ბრძოლა", 1949), პეტრე I („პეტრე I", 1937—39). სსრკ სახელმწ. პრემიისა (1941, 1947, 1950) და კ. სტანისლავსკის სახ. რსფსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენითა და მედლებით.

სიმონოვი რუბენ ნიკოლოზის ძე [20. III (1. IV). 1899, მოსკოვი, — 5. XII. 1968, იქვე], საბჭ. მსახიობი და რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1946). 1920 სწავლობდა მოსკ. სამხატვრო აკადემიური თეატრის მე-3 სტუდიაში (1926-იდან ვახტანგოვის სახ. თეატრი). 1939-იდან ვახტანგოვის თეატრის მთავარი რეჟისორი. საუკეთესო როლები: ბენედიქტი (შექსპირის „აურზაური არაფრის გამო"), დომენიკო სორიანო (დე ფილიპოს „ფილუმენა მარტურანო"), კოსტია კაპიტანი (პოგოდინის „არისტოკრატები"), სირანო (როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი"), ოლეკო დუნდიჩი (რჟეშევსკის და კაცის „ოლეკო დუნდიჩი") და სხვ. ს-ის დადგმებიდან აღსანიშნავია: სლავინის „ინტერვენცია" (1933), კორნეიჩუკის „ფრონტი" (1942), „თომა გორდეევი" (გორკის მიხედვით, 1956), ერვეს „მადმუაზელ ნიტუშე" (1944), ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში" (1962) და სხვ. დიდ თეატრში დადგა



კ. სიმონიანი.



გ. სიმონოვი.



ნ. სიმონოვი პეტრე I-ის როლში (ფილმი „პეტრე I").



რ. სიმონოვი.



ს. სიმონოვიჩი.

ოპერები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" (1938), ბიზეს „კარმენი" (1945) და სხვ. 1928—37 სათავეში ედგა სტუდიას (თეატრ-სტუდია რ. ს-ის ხელმძღვანელობით). ასწავლიდა შჩუკინის სახ. თეატრ. სასწავლებელში (1946-იდან პროფესორი). ლენინური პრემიისა (1967) და სსრკ სახელმწ. პრემიის (1943, 1947, 1950) ლაურეატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვ. ორდენითა და მედლებით.


ლიტ.: Марков П. А., Театральные портреты, М.—Л., 1939.

სიმონოვიჩი სპირიდონ ეგორის ძე [11 (23). XII. 1845, თბილისი, — 10 (23). I. 1905, იქვე], ქართველი გეოლოგი (წარმოშობით სერბი), კავკასიის მკვლევარი. 1865—70 იყო პეტერბ. უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბის თავისუფალი მსმენელი. ერთხანს სწავლობდა ბონის უნ-ტში, შემდეგ — ციურიხის უნ-ტში, რ-იც დაამთავრა 1871 წ. 1872-იდან მუშაობდა კავკ. სამთო სამმართველოს გეოლ. განყ-ბაში გეოლოგად. ს-მა თვალსაჩინო როლი შეასრულა კავკ. გეოლ. აგებულებისა და სასარგებლო წიაღისეულის კვლევის საქმეში. მისი სამეცნ. შრომები შეეხება კავკასიონის სამხრ. კალთის ნაოჭა სისტემის, საქართვ. და ართვინ-ბოლნისის ბელტებისა და თრიალეთის რეგიონული გეოლ. მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის საკითხებს. შეისწავლა ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ქვანახშირის და აფშერონის ნ.-კ-ის ნავთობის საბადოები. *ვ. ჯაფარიძეები.*

სიმონოსეკი, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-დას. ნაწილში, იამაგუტის პრეფექტურაში, სიმონოსეკის სრუტესთან. 269 ათ. მცხ. (1982). ქ. მობისთან ერთად ქმნის ერთიან ნავსადგურ კამონს — კ-ების ჰონსიუსა და კიუსიუს დამაკავშირებელ სატრანსპ. კვანძს. სატრანსპ. მანქანათმშ., გემთმშენებლობა, გემების რემონტი, ქიმ. და ცემენტის მრეწვ. საწარმოები. თუთიასადნობი და ნავთობსახდელი ქ-ნები. ს. თევზჭერისა და თევზსაკონსერვო მრეწვ. ცენტრია.

სიმონოსეკის სრუტე, კ ა მ ო ნ ი, სრუტე კ-ებს ჰონსიუსა და კიუსიუს (იაპონია) შორის. აკავშირებს იაპონიის შიგა ზღვას იაპონიის ზღვასთან. სიგრძე 28 *კმ*, მინ. სიგანე 1,8 *კმ*, სიღრმე ფარვატერზე 10 *მ*-მდე. ნავსადგურებია: სიმონოსეკი, მოძი, ვაკამაცუ და კოკურა.

სიმონოსეკის ხელშეკრულება 1895, დაიდო იაპონიასა და ჩინეთს შორის 17 აპრ. ქ. სიმონოსეკიში იაპონია-ჩინეთის ომში (1894—95) ჩინეთის დამარცხების შემდეგ. ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთი უარს აცხადებდა თავის სიუზერენიტეტზე კორეის მიმართ. იაპონიას გადასცემდა კ. ტაივანს, პენხულედაოს კ-ებს და ლიაოდუნის ნ-კს, იხდიდა კონტრიბუციას 200 მლნ. ლიანს; ვაჭრობისათვის ხსნიდა ზოგიერთ ნავსადგურს; იაპონელებს ჩინეთში სამრეწველო საწარმოების მშენებლობისა და იქ სამრეწველო მოწყობილობის შეტანის უფლებას აძლევდა. 1895 წ. 23 აპრ. რუსეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა მოსთხოვეს იაპ. მთავრობას უარი ეთქვა ლიაოდუნის ნ.-კ-ი ანექსიაზე; იაპონია იძულებული გახდა დაეთმო, მიიღო რა ჩინეთისაგან დამატებითი კონტრიბუცია 30 მლნ. ლიანის ოდენობით.



ო. სიმონოსეკი. კავკასიის მთავარმართებლის სასახლე (ახლა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე). 1865—69.

სიმონსონი ოტო იაკობ (1832, პეტერბურგი, — 24. V. 1914, რიგა), საქართველოში მოღვაწე არქიტექტორი, ეროვნებით შვედი. 1858 დაამთავრა პეტერბ. სამხატვრო აკად. და ჩამოვიდა საქართველოში, სადაც დაჰყო 1909-მდე. აპროექტებდა საზოგადოებრივ და საცხოვრ. ნაგებობებს, ეკლესიებს (მ. შ. აბასთუმნის ეკლესია, რ-შიც გამოიყენა ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრების ფორმები) და სხვ. მისი პროექტით 1859 თბილისში ალექსანდრეს პლაცზე დაიგეგმა სახ. ბაღი (საფუძვლად დაედო დღევანდელ კომუნარების ბაღს). ნაწილობრივ (1858—59), შემდეგ კი მთლიანად (1865—69) გადააკეთა მთავარმართებლის სასახლე (თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე დღევანდელი სახით). ს-მა თავისი პროექტით თბილისში ააშენა ბევრი კერძო საცხოვრებელი სახლი (თამამშვილისა, გ. ტაბიძის ქუჩაზე და სხვ.).

სიმონწმინდა, მთა ახალციხის ქვაბულში, მდ. ფოცხოვისწყლის ხეობის მარცხ. მხარეს. სიმაღლე 1465 *მ*. აგებულია ქვედაპლიოცენური ვულკ. წყებით და თიხაფიქლებით. წარმოადგენს ეროზიულ-დენუდაციურ შთენილს და აქვს დანაწევრებული კალთები. შემოსილია ფოთლოვანი ტყით. *დ. ტაბიძე.*

სიმონ ჯაფარიძის მწვერვალი, მწვერვალი თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდ. განშტოებაზე — შანის ქედზე. სიმაღლე 3900 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. 1944 მწვერვალზე ავიდა ქართვ. ალპინისტთა ჯგუფი ალექსანდრე ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და მას სიმონ ჯაფარიძის სახელი უწოდა. *მ. უთმელიძე.*

სიმპათიკური ნერვული სისტემა (<ბერძნ. sympathēs — მგრძნობიარე), *ვეგეტატიური ნერვული სისტემის* ნაწილი ადამიანსა და ხერხემლიან ცხოველებში. შედგება ცენტრებისაგან, რ-ებიც განლაგებულია ზურგის ტვინის გულმკერდის ნაწილში და წელის ზედა სეგმენტებში. აქ მოთავსებულ ნერვულ უჯრედთა გრძელი მორჩები—სიმპათიკური ნერვული ბოჭკოები — *პრეგანგლიონური ნერვული ბოჭკოები* (ა6ბ) ბოლოვდებიან სიმპათიკური კვანძის (განგლიონის) უჯრედებთან. ეს უკანასკნელნი კი დასაბამს აძლევენ კვანძის მომდევნო *პოსტგანგლიონურ ნერვულ ბოჭკოებს* (ა6ბ). სიმპათიკური კვანძები განლაგებული არიან ან ხერხემლის მარჯვნივ და მარცხნივ, ე. წ. ვერტებრალური განგლიონების სახით და ქმნიან სიმპათიკურ წველს, ან სიმპათიკური კვანძები თავსდებიან ხერხემლის წინ, მისგან დაშორებით და მათ პრევერტებრალური კვანძები ეწოდებათ. ასეთია მზის წნული, ჯორჯლის ზედა და ქვედა კვანძები. ზურგის ტვინიდან გამოსულ ნერვულ ბოჭკოთა უმრავლესობა მთავრდება სიმპათიკური წველის კვანძებში, უმცირესობა კი უწყვეტლივ გაივლის ამ კვანძებს და წყდება პრევენტრალურ კვანძებში მოთავსებულ უჯრედებთან.

ა6ბ ფაქტობრივად ანერვიანებენ ორგანიზმის ყველა ორგანოს და ქსოვილს. ს. ნ. ს. მონაწილეობს ორგანიზმის მთელ რიგ ფუნქციათა რეგულაციაში. მისი ბოჭკოებით მიტანილი იმპულსესები იწვევენ მუცლის ღრუს ორგანოების, კანის, ფილტვების, ტვინის სისხლძარღვთა სანათურების შევიწროებას, გულის ცემის გახშირებას და შეკუმშვის გაძლიერებას ნერწყვისა და კუჭის სუსტ სეკრეციას, კუჭისა და ნაწლავების გლუვი კუნთების მოდუნებას, ზრდიან დაღლილი ჩონჩხის კუნთის მუშაობის უნარიანობას, ცვლიან რეცეპტორთა აგზნებადობას, ემოციურ მდგომარეობათა ფიზიოლ. გამოვლინება დაკავშირებულია უპირატესად ს. ნ. ს.-ის აგზნებასთან.

ს. ნ. ს. ცენტრ. ნერვული სისტემის მაღალი დონის ცენტრების (მოგრძო ტვინის, ნათხემის, ჰიპოთალამუსის) გავლენის ქვეშაა, ესენი კი მთლიანად დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქის კონტროლს ემორჩილებიან.

სიმპათიკურ ნერვულ ბოჭკოებში (სნბ), განსაკუთრებით პოსტგანგლიურში, აგზნების გატარების სიჩქარე სომატურ ნერვულ ბოჭკოებთან შედარებით მცირეა და შეადგენს დაახლ. 1—3 *მ/წმ*. დაბალია აგრეთვე მათი აგზნებადობის ხარისხი. მათი გაღიზიანებით გამოწვეული ეფექტები ძლიერ ნელი და ხანგრძლივად მიმდინარე პროცესებია.

სნბ-ის დაბოლოებებზე გამოიყოფა *მედიატორები*. ყველა პრნბ-ს დაბოლოებაზე და საოფლე ჯირკვლების მაინერვირებელ პოსტგანგლიონურ ნერვულ ბოჭკოთა დაბოლოებებზე გამოიყოფა *აცეტილქოლინი*, ხოლო ყველა დანარჩენ ანბ-ის დაბოლოებაზე — *ნორადრენალინი*. ს. ნ. ს-ის საშუალებით უზრუნველყოფილია ყველა შინაგან ორგანოს შორის რეფლექსური ურთიერთმოქმედება. განარჩევენ: ვისცერო-ვისცერალურ რეფლექსებს, როდესაც რეფლექსი იწყება და თავდება შინაგან ორგანოებში, ვისცერო-მოტორულ რეფლექსებს, როდესაც რეფლექსი იწყება შინაგან ორგანოებში და მთავრდება ჩონჩხის კუნთებში, ვისცერო-კუტანურ რეფლექსებს, როდესაც რეფლექსი იწყება შინაგან ორგანოებში და თავდება კანში, კუტანო-ვისცერალურ რეფლექსებს, როდესაც გაღიზიანება იწყება კანში და მთავრდება შინაგან ორგანოებში.

მართალია, გარეგნულად დესიმპაციაციის (სიმპათიკური წველისა და მუცლის ღრუს სიმპათიკური განგლიონის მოცილება) შემდეგ ცხოველები არ განსხვავდებიან ნორმალურისაგან, მაგრამ განსაკუთრებულ პირობებში (ძლიერი გარე ზეგავლენის დროს) ისინი ვერ ეგუებიან ამ პირობებს და ამიტომ ნაკლებად გამძლე არიან ამ ფაქტორებისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ს. ნ. ს. აწესრიგებს და აგუებს ქსოვილებში მიმდინარე ფუნქციებს ამა თუ იმ პირობებთან (იხ. *ადაპტაციურ-ტროფიკული ფუნქცია*).

ლიტ.: Бакурадзе А. Н., Секреторный механизм желудочных желез, Тб., 1976; Орбели Л. А., Лекции по физиологии нервной системы, М.—Л., 1938; Скок В. И., Физиология вегетативных ганглиев, Л., 1970; Чернigовский В. Н., Интероцепторы, М., 1960.

ა. ბაკურაძე.

სიმპატრია, с и м п а т р и უ л ო ბ ა (ბერძნ. syn — ერთად და patris—სამშობლო), სახეობის წარმოშობის გზა, რ-ის დროსაც ახალი სახეობების წარმომქმნელი პოპულაციების არეალები ერთმანეთს ემთხვევა. ს. შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ფორმა ერთსა და იმავე არეალის საზღვრებშია, მაგრამ მათი შერევა არ ხდება. იგი დამახასიათებელია მხოლოდ იმ ფორმებისათვის, რ-თა შორის შეჯვარება შეუძლებელია, ე. ი. ბიოლ. იზოლაციის რომელიმე ფორმის არსებობისას. ცნება „ს." და „ალოპატრია" (იხ. სტ. *ალოპატრია*) ფართოდ გამოიყენება სახეობათა წარმოქმნის პროცესების ანალიზის დროს. მთელ რიგ შემთხვევებში სიმპატრიული სახეობების არსებობა ალოპატრიულ სახეობათა წარმოქმნისა და ერთი სახეობის ინდივიდის სხვა სახეობის არეალში ურთიერთშესახლების შედეგია.

სიმპატრიული გავრცელება ორგანიზმებისა, ორი ან რამდენიმე ახლობელი სახეობის გავრცელება ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. იგი, როგორც

წესი, სახეობრივი დამოუკიდებლობის მაჩვენებელია. კერძოდ, ეს ეხება ე. წ. სახეობა ორეულებს, როგორიცაა, მაგ., რუხი მემინდვრიას 2 სახეობა (Microtus arvalis და M. subarvalis), რ-ებიც გავრცელებული არიან ერთ არეალზე, მორფოლოგიურად მსგავსი არიან, მაგრამ განსხვავდებიან ქრომოსომების რაოდენობით (46 და 54) და სპერმატოზოიდების ფორმით. ს. ბ. არის ერთი სახეობის არეალის გადაფარვა მეორის არეალით. მაგ., ბარხანების კატის არეალი მთლიანად ველის კატის არეალშია მოქცეული. მას დიდი მნიშვნელობა აქვს სახეობათა წარმოქმნის პროცესის გასაანალიზებლად (იხ. *სიმპატრია*).

სიმპლასტი (ბერძნ. syn — ერთად და plastos — გამოძერწილი, წარმოქმნილი), ცხოველებში ქსოვილის ისეთი აგებულება, რ-ის დროსაც უჯრედებს შორის საზღვარი არ არსებობს და ბირთვები ციტოპლაზმის მთლიან მასალაშია განლაგებული. ს. წარმოიქმნება ბირთვების გამრავლების შემდგომი ციტოტომიის გარეშე, აგრეთვე — უჯრედების შერწყმით. მცენარეებში ს-ს ანუ სინციტიუმს უწოდებენ: ა. ორგანიზმის მრავალბირთვიან პროტოპლასტს, რ-საც უჯრედული აღნაგობა არა აქვს; ბ. მრავალუჯრედიან მცენარეებში—შერწყმული უჯრედების პროტოპლასტს, აგრეთვე *პლაზმოდესმებით* შეერთებული პროტოპლასტების ერთობლიობას.

სიმპლექსი (ლათ. simplex — უბრალო, მარტივი) მათემატიკაში, მოცემული n-განზომილებიანი უმარტივესი მრავალწახნაგა. როდესაც $n=3$, ს. წარმოადგენს ნებისმიერ (მ. შ. არაწესიერ) *ტეტრაედრს*. ორგანზომილებიანი ს. არის ნებისმიერი სამკუთხედი, ერთგანზომილებიანი — მონაკვეთი, ნულგანზომილებიანი კი—მხოლოდ წერტილი. n-განზომილებიან ს-ს აქვს $n+1$ წვერო, რ-ებიც არ ეკუთვნიან m-განზომილებიანი ($m \geqslant n$) ევკლიდური სივრცის არც ერთ $(n-1)$-განზომილებიან ქვესივრცეს, პირიქით, m-განზომილებიანი ევკლიდური სივრცის ყოველი $(n+1)$ წერტილი ($m \geqslant n$). l_0, l_1,..., l_n, რ-იც არ ძევს n-ზე უფრო ნაკლები განზომილების არც ერთ ქვესივრცეში, ცალსახად განსაზღვრავს n-განზომილებიან ს-ს, რ-ის წვეროები მოცემული l_0,..., l_n წერტილებშია.

სიმპლექსური კავშირგაბმულობა, ორმხრივი ელექტროკავშირგაბმულობის სისტემა, რ-ის დროსაც კავშირგაბმ. ყოველ პუნქტში ცნობათა გადაცემა და მიღება რიგრიგობით ხდება. სატელეფონო ს. კ-ის დროს ორმხრივი ლაპარაკისათვის იყენებენ გადაცემის მიმართულების შესაცვლელ მოწყობილობას (მექანიკურს ან ავტომატურს).

სიმპლოკე (ბერძნ. symplokē—გადაწვნა, გადაბმა), 1) მხატვრული ფიგურა, რაც *ანაფორისა* და *ეპიფორის* გამეორებით მიიღება:

თათრის გოგონავ, დაუკარი შენი დაირა,
თათრის გოგონავ, მომილხინე შენი დაირით. (ა. კალანდაძე).

2) შუა სიტყვის გამეორება ორ ტაეპში ან ფრაზის წევრებში:

როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაქტიონი. (გ. ტაბიძე).

რ. ბერიძე.

სიმპლონი (ფრანგ. Simplon, გერმ. Simpeln, იტალ. Sempione), უღელტეხილი შვეიცარიაში პენინისა და ლეპონტის ალპების შესაყართან. სიმაღლე 2005 *მ*. ს-ზე გადის გზატკეცილი ბერნ—მილანი. ს-ის მახლობლად 700 *მ* სიმაღლეზე 19,7 *კმ* სიგრძის სარკინიგზო გვირაბია.

სიმპოდიუმი (ბერძნ. syn — ერთად და pus, ნათ. ბრ. podos — ფეხი, ტერფი; აქ—ტოტი, ღერძი), „შედგენილი ღერძი", მცენარის ღერძული ორგანო (ფესვი ან ღერო), რ-იც შედგება სხვადასხვა რიგის ღერძული მონაკვეთებისაგან (ტოტებისაგან). დიქოტომიური დატოტვისას უმდაბლესი და ზოგი უმაღლესი სპოროვანი მცენარის მაგ., ლიკოპოდიუმის, ს. წარმოიქმნება ორთითის ერთ-ერთი ტოტის უფრო ძლიერი განვითარებით და დატოტვის განმეორებით ეტაპებზე სუსტად განვითარებული ტოტის გვერდზე გადაადგილებით. უმაღლეს მცენარეთა უმრავლესობის, მ. შ. ყვავილოვანი მცენარეების, ს. წარმოიქმნება ფესვის ან ღეროს კენწრული ზრდის შეწყვეტით და მისი შენაცვლებით გვერდითი ფესვით ან ღეროთი. მრავალი ფოთლოვანი ხისა და ბუჩქის ღეროები და მსხვილი ტოტები, აგრეთვე მრავალწლოვანი ბალახების ფესურები ტიპური ს-ებია, ე. ი. ზრდის კონუსის გადაადგილება ხდება მრავალჯერ, ზოგჯერ ყოველწლიურადაც. ს-ის პრინციპით წარმოქმნილ ყვავილედს ციმოზური ეწოდება. *შ. ლეონიანიძე.*

სიმპოზიუმი (ბერძნ. symposia — წვეულება, ნადიმი), 1. ძვ. ბერძნებსა და რომაელებთან — ქეიფი მუსიკითა და გართობით, რასაც მოჰყვებოდა სჯა-ბაასი, საუბარი. 2. თათბირი, ჩვეულებრივ, საერთაშ. რაიმე სპეციალურ (ძირითადად სამეცნ.) საკითხებზე.

სიმპტომი (ბერძნ. symptōma—შემთხვევა, დამთხვევა, ნიშან-თვისება), რომელიმე დაავადების ნიშანი. განარჩევენ არაასპეციფიკურ (ზოგად) ს-ს, რ-იც გვხვდება სხვადასხვა დაავადების დროს (მაგ., სისუსტე, ტემპ-რის აწევა), და პათოგნომიკურს, რ-იც ახასიათებს მხოლოდ გარკვეულ ნოზოლოგიურ ფორმას (იხ. *ნოზოლოგია*), აგრეთვე სუბიექტურ (ვლინდება ავადმყოფის გამოკითხვით) და ობიექტურ (ვლინდება ავადმყოფის გასინჯვისას *აუსკულტაციით, პერკუსიით,* დიაგნოსტიკის ლაბორ. და ინსტრუმ. მეთოდებით და სხვ.) ს-ებს; გამოყოფენ დაავადების წინამორბედ ს-ებსაც. თუ დამახასიათებელი ს-ები დაავადების დასაწყისიდანვე არ ვლინდება, ლაპარაკობენ დაავადების ატიპურ მიმდინარეობაზე. თანამედროვე თერაპიისა და პროფილაქტ. აცრების შედეგად დაავადების ს-ები შეიძლება არსებითად შეცვლილი იყოს ან სრულიად არ გამოვლინდეს. დაავადების ს-ების ერთობლიობა ზუსტი *დიაგნოზისა* და *პროგნოზის* საფუძველია (იხ. *სემიოტიკა*).

ე. ალადაშვილი.

სიმრავლე, იხ. სტ. *სიმრავლეთა თეორია.*

სიმრავლეთა აქსიომური თეორია, *სიმრავლეთა თეორიის* ფორმულირება ფორმალური (აქსიომური) სისტემის სახით. ამ თეორიის ჩამოყალიბება განაპირობა გ. *კანტორის* მიერ პარადოქსების აღმოჩენამ „გულუბრყვილო" სიმრავლეთა თეორიაში.


სიმრავლეთა თეორია, მოძღვრება სიმრავლეთა (უპირატესად უსასრულო) ზოგადი თვისებების შესახებ. სიმრავლის, ანუ ერთობლიობის, ცნება განეკუთვნება უმარტივეს მათ. ცნებათა რიგს. იგი არ განისაზღვრება, მაგრამ შეიძლება აიხსნას მაგალითების საშუალებით. მაგ., შეიძლება ვილაპარაკოთ მოცემული ბიბლიოთეკის ყველა წიგნის სიმრავლის შესახებ, მოცემული წირის ყველა წერტილის სიმრავლის შესახებ, მოცემული განტოლების ყველა ამონახსნის სიმრავლის შესახებ და ა. შ. ამ შემთხვევაში ყველა წიგნი, ყველა წერტილი, ყველა ამონახსნი და ა. შ. წარმოადგენს შესაბამისი სიმრავლის ელემენტებს. სიმრავლე რომ განისაზღვროს, საკმარისია მივუთითოთ ელემენტების მახასიათებელ თვისებაზე, ე. ი. ისეთ თვისებაზე, რ-იც აქვს ამ სიმრავლის ყველა ელემენტს და მხოლოდ მათ. შეიძლება მოცემული თვისება არ ჰქონდეს არც ერთ საგანს, მაშინ ამბობენ, რომ ეს თვისება განსაზღვრავს ცარიელ სიმრავლეს. ის, რომ მოცემული x საგანი არის M სიმრავლის ელემენტი, ჩაიწერება ასე: $x \in M$ (იკითხება: x ეკუთვნის M სიმრავლეს).

ქვესიმრავლეები. თუ A სიმრავლის ყოველი ელემენტი ამავე დროს B სიმრავლის ელემენტიცაა, მაშინ A სიმრავლეს ეწოდება B-ს ქვესიმრავლე ან B-ს ნაწილი. ეს ჩაიწერება ასე $A \subset B$ ან $B \supseteq A$ ამრიგად, მოცემული A სიმრავლის ქვესიმრავლე თვით A სიმრავლეცაა. ცარიელი სიმრავლე შეთანხმებით ითვლება ნებისმიერი სიმრავლის ქვესიმრავლედ. A სიმრავლის ნებისმიერ B ქვესიმრავლეს, რ-იც განსხვავებულია A-გან, უკანასკნელის საკუთრივი ნაწილი, ანუ საკუთრივი ქვესიმრავლე, ეწოდება.


სიმრავლის სიმძლავრე. პირველი საკითხი, რ-იც დაისვა უსასრულო სიმრავლეების შესახებ, შეეხებოდა მათ რაოდენობრივ შედარებას. ამ საკითხზე და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე პასუხი გასცა XIX ს. 70-იანი წწ. ბოლოს გ. *კანტორმა*, რ-მაც ჩამოაყალიბა ს. თ. როგორც მათ, მეცნიერება. სიმრავლეთა რაოდენობრივი შედარების შესაძლებლობა დაფუძნებულია ორ სიმრავლეს შორის ურთიერთცალსახა თანადობის ცნებაზე. თუ A სიმრავლის ყოველ ელემენტს ეთანადება რომელიმე წესის ან კანონის საფუძველზე B სიმრავლის რომელიმე განსაზღვრული ელემენტი და B სიმრავლის ყოველი ელემენტი თანადობაშია მოცემული A სიმრავლის მხოლოდ ერთ ელემენტთან, მაშინ ამბობენ, რომ A და B სიმრავლეებს შორის დამყარებულია ურთიერთცალსახა თანადობა (შემოკლებით 1—1 თანადობა). ცხადია, რომ ორ სასრულ სიმრავლეს შორის 1—1 თანადობა შეიძლება დავამყაროთ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე სიმრავლე ერთი და იმავე რაოდენობის ელემენტებისაგან შედგება. ამ ფაქტს განაზოგადებენ და განსაზღვრავენ როგორც რაოდენობრივ ეკვივალენტურობას ანა როგორც ტოლსიმძლავრეობას ორი სიმრავლისას. ორი უსასრულო A და B სიმრავლისათვის შესაძლებელია შემდეგი სამი შემთხვევა: ან A-ში არის საკუთრივი ნაწილი, რ-იც B-ს სიმძლავრისაა, მაგრამ B-ში არ არის საკუთრივი ნაწილი, რ-იც A-ს სიმძლავრისაა, ან პირუკუ, B-შია საკუთრივი ნაწილი, რ-იც A-ს სიმძლავრისაა, მაგრამ A-ში არ არის საკუთრივი ნაწილი, რ-იც B-ს სიმძლავრისაა, ან A-ში არის საკუთრივი ნაწილი, რ-იც B-ს სამძლავრისაა და B-შიცაა საკუთრივი ნაწილი, რ-იც A-ს სიმძლავრისაა. მტკიცდება, რომ, III შემთხვევაში A და B სიმრავლეებს ტოლი სიმძლავრეები აქვთ (კანტორ-ბერნშტეინის თეორემა). პირველ შემთხვევაში ამბობენ, რომ A-სიმრავლის სიმძლავრე მეტია B-ს სიმძლავრეზე; II შემთხვევაში B-ს სიმძლავრეა მეტი A-ს სიმძლავრეზე. Apriori შესაძლებელი შემთხვევაა—A-ში არ არის საკუთრივი ნაწილი, რ-იც B-ს სიმძლავრისაა, და B-ში არ არის საკუთრივი ნაწილი, რ-იც A-ს სიმძლავრისაა—სინამდვილეში არ შეიძლება განხორციელდეს (უსასრულო სიმრავლეებისათვის).

სიმძლავრის ცნების ღირებულება განისაზღვრება არატოლი სიმძლავრეების მქონე სიმრავლეების არსებობით. მაგ., მოცემული M სიმრავლის ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლის სიმძლავრე მეტია მოცემული სიმრავლის სიმძლავრეზე. სიმრავლეს, რ-საც ნატურალურ რიცხვთა სიმრავლის სიმძლავრე აქვს, ეწოდება თვლადი სიმრავლე. თვლადი სიმრავლის სიმძლავრე უმცირესია იმ სიმძლავრეებს შორის, რ-ებიც შეიძლება ჰქონდეს უსასრულო სიმრავლეს.

გ. კანტორმა დაამტკიცა, რომ ყველა რაციონალურ რიცხვთა სიმრავლე და



სიმპოდიუმი: 1—დიქოტომიური დატოტვა; 2—არათანაბარი დიქოტომიით წარმოქმნილი სიმპოდიუმი; 3—ცრუ დიქოტომია ანუ დიქაზიუმი; 4—სიმპოდიურად მზარდი ტოტი—მონოქაზიუმი (4 რიგის ღერძებით შექმნილი სიმპოდიუმი); 5—მონოპოდიუმი (შესადარებლად), ერთი რიგის მთავარი ღერძი; 6—სიმპოდიურად მზარდი ფესვი; 7—ხის ღერო—სიმპოდიუმი (ციფრებით აღნიშნულია თანმიმდევრული რიგის ღერძების მკვდარი კენწეროები); 8—ხე მონოპოდიური ღეროთი (შესადარებლად); ციფრებით აღნიშნულია ერთადერთი რიგის ღერძის წლიური ნამატის საზღვრები. 9—ბალახოვანი მცენარის სიმპოდიური ფესურის წარმოქმნა (რომაული ციფრებით აღნიშნულია ღერძების რიგები).



სიმრუდე მათემატიკაში.

ალგებრულ რიცხვთა სიმრავლეც კი თვლადია იმ დროს, როდესაც ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე არ არის თვლადი. Y^X სიმბოლოთი აღინიშნება X სიმრავლის Y სიმრავლეში ყველა ასახვის სიმრავლე. თუ ξ და η, X და Y სიმრავლეების სიმძლავრეებია, მაშინ $X\times Y$ სიმრავლის სიმძლავრე იქნება $\xi\eta$, ხოლო Y^X-ისა — η^ξ ($X\times Y$-ის განსაზღვრა იხ. ქვემოთ).

დალაგებული სიმრავლეები. X სიმრავლეში შემოვიტანოთ დალაგება ნიშნავს, რომ ამ სიმრავლის ზოგიერთ x' და x'' ელემენტის წყვილისათვის რომელიმე წესით განსაზღვრულია წინ გასწრება (მომდევნობა), რ-იც განისაზღვრება სიტყვებით: „x' ელემენტი წინ უსწრებს x'' ელემენტს ან სიმბოლურად $x'<x''$", რაც იგივეა, რომ „x'' ელემენტი მოსდევს x' ელემენტს, ან სიმბოლურად $x''>x'$", ამასთან იგულისხმება, რომ შესრულებულია ტრანზიტულობის პირობა: თუ „$x<x'$ და $x'<x''$, მაშინ $x<x''$". სიმრავლეს რომელიმე ჩანხილულ დალაგებასთან ერთად ეწოდება ნაწილობრივად დალაგებული.

ორ დალაგებულ სიმრავლეს ეწოდება მსგავსი ან ერთი და იმავე დალაგების ტიპისა, თუ მ. შ. შეიძლება დავამყაროთ დალაგების შემნახველი (1—1) თანადობა დალაგებული სიმრავლის ელემენტს ეწოდება პირველი, თუ ის უსწრებს ყველა დანარჩენ ელემენტს ანალოგიურად შეიძლება განისაზღვროს უკანასკნელი ელემენტიც.

დალაგებულ სიმრავლეს ეწოდება სავსებით დალაგებული, თუ თვითონ მას და მის ნებისმიერ საკუთრივ ნაწილს აქვს პირველი ელემენტი გ. კანტორმა გამოთქვა ჰიპოთეზა იმის შესახებ რომ ყოველი სიმრავლე, რ-იც შეიცავს ნამდვილი რიცხვების სიმრავლის სიმძლავრის მქონეა ამის შესახებ იხ. სტ *კონტინუუმის პრობლემა*. სავსებით დალაგებული სიმრავლის დალაგების ტიპებს ეწოდება რიგობითი ან ორდინარული რიცხვი თუ სავსებით დალაგებული სიმრავლე სასრულია მაშინ რიგობითი რიცხვი ემთხვევა ელემენტარული არით. ნეიულებრივ რიგობით რიცხვს. უსასრულო სავსებით დალაგებულ სიმრავლეების რიგობით ტიპებს ეწოდება *ტრანსფინიტური რიცხვები*.

სიმრავლეთა ასახვა. ს. თ-ში ფუნქციის ანალიზური ცნება, ფიგურის გეომეტრიული გარდაქმნის ცნება და ა შ. გაერთიანებულია ერთი სიმრავლის მეორეში ასახვის ცნებაში. დავუშვათ, რომ მოცემულია ორი სიმრავლე X და Y, ვთქვათ ყოველ $x\in X$ თანადობაშია Y სიმრავლის რომელიმე ელემენტი $y=f(x)$, მაშინ ამბობენ, რომ გვაქვს X სიმრავლის ასახვა Y სიმრავლეში ან ამბობენ, რომ გვაქვს ფუნქცია, რ-ის x არგუმენტი გაირბენს X სიმრავლეს, ხოლო y მნიშვნელობები — Y სიმრავლეს. ამასთან, ყოველი მოცემული $x\in X$ ელემენტისათვის Y სიმრავლის $y=f(x)$ ელემენტს ეწოდება $x\in X$ ელემენტის სახე მოცემული ასახვისას.

X და Y სიმრავლეებს შორის (1-1) თანადობა არის X სიმრავლის Y სიმრავლეში ისეთი ასახვა, როცა Y სიმრავლის ყოველი ელემენტი წარმოადგენს X სიმრავლის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ელემენტის სახეს.

ოპერაციები სიმრავლეებზე. ორი, სამი, საზოგადოდ, ნებისმიერი (სასრული ანუ უსასრულო) რაოდენობის სიმრავლეთა გაერთიანება (ან ჯამი) ეწოდება ყველა იმ ელემენტის სიმრავლეს, რ-თაგან თითოეული ერთ-ერთი შესაკრები სიმრავლის ელემენტი მაინც არის. ორი, სამი და საზოგადოდ ნებისმიერი (სასრული ან უსასრულო) რაოდენობის სიმრავლეთა თანაკვეთა ეწოდება ყველა იმ ელემენტის სიმრავლეს, რ-ებიც საერთოა ყველა მოცემული სიმრავლისათვის. B და A სიმრავლეების სხვაობა ეწოდება B სიმრავლის იმ ელემენტების სიმრავლეს, რ-ებიც არ ეკუთვნიან A სიმრავლეს.

გაერთიანებისა და თანაკვეთის ოპერაციები ასოციაციური და კომუტატიურია. გრდა ამისა, თანაკვეთის ოპერაცია დისტრიბუციულია გაერთიანებისა და სხვაობის ოპერაციების მიმართ.

X და Y სიმრავლეების გარე ნამრავლი ეწოდება ყველა შესაძლებელ (x, y) წყვილთა ერთობლიობას, სადაც $x\in X$ და $y\in Y$; აღინიშნება $X\times Y$ სიმბოლოთი. განსაზღვრულია აგრეთვე ხარისხში აყვანის ოპერაციაც.

წერტილოვანი სიმრავლეები. წერტილოვან ს. თ., ე. ი. სიტყვის პირველადი გაგებით — თეორია სიმრავლეებისა, რ-თა ელემენტები არის ნამდვილი რიცხვები, აგრეთვე ორ-, სამ- და, საზოგადოდ, n-განზომილებიანი სივრცის. ელემენტები, დაფუძნებულია გ. კანტორის მიერ, რ-მაც შემოიღო ზღვრული წერტილის ცნება და მასთან დაკავშირებული ჩაკეტილი სიმრავლის ცნება. წერტილოვან ს. თ-ის შემდგომმა განვითარებამ მიგვიყვანა *ბეტრიკული სივრცისა* და *ტოპოლოგიური სივრცის* ცნებებამდე, რ-ებსაც სწავლობს ზოგადი ტოპოლოგია. განსაკუთრებული შესწავლის საგანია დესკრიფციული ს თ., რ-საც საფუძველი ჩაუყარაეს ფრანგმა მათემატიკოსმა რ. ბერმა და ა *ლებეგმა* წყვეტილ ფუნქციათა კლასიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით დესკრიფციული ს თ-ის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია უპირატესად რუსი და პოლონელი მათემატიკოსების, განსაკუთრებით მოსკოვური მათ. სკოლის წარმომადგენლების — ნ. *ლუზინის*, პ. *ალექსანდროვის*, მ. *ლავრენტიევის*, ა *კოლმოგოროვის*, პ. *ნოვიკოვისა* და სხვ სახელებთან.

ს თ-ის მნიშვნელობა. ს. თ-ის გავლენა თანამედროვე მათ განვითარებაზე ძალზე დიდია პირველ რიგში, იგი წარმოადგენს რამდენიმე ახ. მათ. დისციპლინის (ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ზოგადი ტოპოლოგია, ზოგადი ალგებრა, ფუნქციონალური ანალიზი და ა შ.) საფუძველს.

ს. თ-ის მეთოდებს უფრო და უფრო მეტად იყენებენ კლასიკურ მათემატიკაში. ს. თ-მ დიდი ?ავლენა მოახდინა თვით მათ შესწავლაზე

ლიტ.: Александров П. С., Введение в общую теорию множеств и функций, М.—Л., 1948, Хаусдорф Ф., Теория множеств, пер. с нем., М.—Л., 1937.

სიმრავლის ზომა, მათემატიკური ცნება, რ-იც აზოგადებს მონაკვეთის სიგრძის, ბრტყელი ფიგურის ფართობისა და სხეულის მოცულობის ცნებას უფრო ზოგადი ბუნების სიმრავლეების შემთხვევაში. მაგალითის სახით შეიძლება გამოვიყენოთ ლებეგის ზომის (შემოღებული ა. *ლებეგის* მიერ 1902) განსაზღვრა სიბრტყეში მდებარე შემოსაზღვრული სიმრავლეებისათვის. ლებეგის ზომის განსაზღვრის დროს, ისევე როგორც ბრტყელი ფიგურის ფართობის დადგენისას, სიმრავლის მიერ დაკავებულ სიბრტყის ნაწილს ადარებენ გაზომვის არჩეულ ერთეულს. შედარების პროცესი ჰგავს ფართობის გაზომვის ჩვეულებრივ პროცესს. ნებისმიერი Δ კვადრატის ლებეგის $m(\Delta)$ ზომას თვლიან ამ კვადრატის ფართობის ტოლად. ამის შემდეგ განსახილველ A სიმრავლეს დაფარავენ სასრული ან უსასრულო $\Delta_1, \Delta_2, \dots, \Delta_n, \dots$ რაოდენობის კვადრატებით; $\sum_{n=1}^{\infty} m(\Delta_n)$ რიცხვების ზუსტ ქვედა საზღვარს, აღებულს A სიმრავლის ყველა შესაძლებელი დაფარვის ამართ, უწოდებენ A სიმრავლის ზედა (გარე) $m^*(A)$ ზომას. სიმრავლის ქვედა (შიგა) $m_*(A)$ ზომა ეწოდება $m(\Delta)-m^*(\bar{A})$ სხვაობას, სადაც Δ A სიმრავლის მომცველი რომელიმე კვადრატია, ხოლო $\bar{A}$ — ამ კვადრატის ყველა ის წერტილი, რ-იც A-ში არ არის. სიმრავლეებს, რ-თა ზედა ზომა ქვედა ზომის ტოლია, უწოდებენ ზომად ს ლებეგის მიხედვით, საერთო $m(A)$ მნიშვნელობას კი A სიმრავლის ლებეგის ზომას.

„ს. ზ-ის" ცნების თავისებურება ჩანს შემდეგი მაგალითიდან: რაციონალურ წერტილთა A სიმრავლე და ირაციონალურ წერტილთა B სიმრავლე (0,1) ინტერვალში მკვრივია (ე. ი. ამ ინტერვალის ნებისმიერ ორ წერტილს შორის მოიძებნება როგორც A სიმრავლის, ასევე B სიმრავლის წერტილები). ამავე დროს ზომით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: $m(A)=0$, ხოლო $m(B)=1$.

თანამედროვე მათ. სხვადასხვა დარგის განვითარებამ მიგვიყვანა ს. ზ-ის თეორიის შემდგომ განზოგადებამდე, ე. წ. აბსტრ. ზომის თეორიის შექმნამდე. ამასთან, ს.ზ-ს განსაზღვრავენ აქსიომურად. ვთქვათ, U ნებისმიერი სიმრავლეა, B —მისი ქვესიმრავლეების რომელიმე ოჯახი. არაუარყოფით $\mu(A)$ ფუნქციას, განსაზღვრულს ყოველი A-თვის B-დან, ეწოდება ზომა, თუ ის სავსებით ადიტიურია [ე. ი. ნებისმიერ წყვილ-წყვილად არათანამკვეთი $A_1, A_2, \dots, A_n, \dots$ სიმრავლეებისათვის B-დან, რ-თა $A=\bigcup_{n=1}^{\infty} A_n$ გაერთიანება აგრეთვე B-შია, $\mu(A)=\sum_{n=1}^{\infty}\mu(A_n)$], და გარდა ამისა, B სისტემა აკმაყოფილებს ზოგიერთ დამატებით პირობას. მაშინ B-ში შემავალ სიმრავლეებს ეწოდება ზომადი (μ-ს მიმართ). იმის შემდეგ, რაც განსაზღვრულია μ ზომა, განისაზღვრება (μ-ს მიმართ) ზომადი ფუნქციები და ინტეგრირების ოპერაცია

სიმრუდე მათემატიკაში, სიდიდე, რ-იც ახასიათებს წირის (ზედაპირის) გადახრას წრფისაგან (სიბრტყისაგან). L წირის MN რკალის M წერტილში გავლებული MP მხებისაგან გადახრა შეიძლება დავახასიათოთ ამ რკალის ე. წ. საშ. სიმრუდით $K_{საშ}$, რ-იც განისაზღვრება M და N წერტილებში გავლებულ მხებს შორის მდებარე კუთხისა და MN რკალის ΔS სიგრძის ფარდობით, ე. ი.

$$K_{საშ}=\frac{\alpha}{\Delta S}.$$

საშ. სიმრუდის K ზღვრულ მნიშვნელობას, როდესაც N წერტილი მიისწრაფვის M წერტილისაკენ, ე. ი. როდესაც $\Delta S\to 0$, ეწოდება L წირის K სიმრუდე M წერტილში:

$$K=\lim_{N\to M} K_{საშ}=\lim_{\Delta S\to 0}\frac{\alpha}{\Delta S}.$$

სიმრუდის შებრუნებულ R სიდიდეს ეწოდება L წირის სიმრუდის რადიუსი M წერტილში. თუ L წირი წარმოადგენს $y=f(x)$ ფუნქციის გრაფიკს, მაშინ ამ წირის K სიმრუდე შეიძლება გამოვითვალოთ ფორმულით:

$$K=\frac{|f''|}{[1+f'^2]^{3/2}}.$$

სივრცითი L წირის სიბრტყისაგან გადახრის დასახასიათებლად განსაზღვრულია ე. წ. გრეხა, რ-საც ზოგჯერ მეორე ს-საც უწოდებენ. წირის M წერტილში σ გრეხა განისაზღვრება როგორც ზღვარი M და N წერტილებში გავლებულ *მიმხები სიბრტყეებს* შორის მდებარე კუთხისა და MN რკალის ΔS სიგრძის ფარდობის ზღვარი, როდესაც $\Delta S\to 0$, ე. ი.

$$\sigma = \frac{lim}{\Delta S \to 0} \frac{\beta}{\Delta S}.$$

ამასთან, β კუთხეს თვლიან დადებითად, თუ M წერტილიდან დაკვირვებისას N წერტილში მიმხები სიბრტყე მობრუნდება საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, როდესაც N მიისწრაფვის M-კენ.

ზედაპირის სიბრტყისაგან გადახრას იკვლევენ შემდეგნაირად: ზედაპირის მოცემულ M წერტილში აღებულ ნორმალზე ატარებენ ყველა შესაძლებელ სიბრტყეს. ზედაპირის კვეთებს ამ სიბრტყეებით ეწოდება ნორმალური კვეთები, ხოლო ნორმალური კვეთების სიმრუდეებს M წერტილში — **ნორმალური სიმრუდეები** ამ წერტილში. ნორმალურ სიმრუდეთაგან მინიმალურსა და მაქსიმალურს ეწოდება **მთავარი სიმრუდეები**. თუ K_1 და K_2 მთავარი სიმრუდეებია, მაშინ $K = K_1K_2$ ეწოდება **სრული სიმრუდე** (ან გაუსის სიმრუდე), ხოლო $H=(K_1+K_2)/2$ — **საშუალო სიმრუდე**.

სიმსივნე, ბლასტომა, ახალწარმონაქმნი, ქსოვილების არანორმალურად ჭარბი ზრდა. ს., ისევე როგორც ნორმალური ქსოვილი, უჯრედებისაგან შედგება, მაგრამ ნორმალური უჯრედებისაგან განსხვავებით სიმსივნურ უჯრედებს დაქვეითებული ან სრულიად დაკარგული აქვთ მომწიფების, დიფერენციაციის უნარი და ახასიათებთ განუსაზღვრელი გამრავლება, რის შედეგადაც წარმოქმნილი სიმსივნური ქსოვილი აზიანებს და არღვევს ირგვლივ მდებარე ნორმალურ ქსოვილებსა და ორგანოებს; ს-ებს შეისწავლის ონკოლოგია. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ქსოვილისაგან კითარდება ს., განარჩევენ მწიფე ანუ კეთილთვისებიან ს-ს, რ-იც შენებით წააგავს დედურ ქსოვილს (ჰომოპლაზია), და უმწიფარ ანუ ავთვისებიან ს-ს, რ-ის შენება მკვეთრად განსხვავდება დედური ქსოვილისაგან (ანაპლაზია). ს-ის ქსოვილოვანი წარმოშობა და ხასიათი ასახულია მათ სახელწოდებებში — ქსოვილის სახელს, რ-ისაგანაც ვითარდება ს., ემატება დაბოლოება — *ომა*. მაგ., *ფიბრომა* — კეთილთვისებიანი ს. განვითარებულია შემაერთებელი ქსოვილისაგან; *მიომა* — კეთილთვისებიანი ს. განვითარებულია კუნთოვანი ქსოვილისაგან და ა. შ. ზოგიერთი ს. განსაკუთრებულ სახელს ატარებს. მაგ., ეპითელიუმური ქსოვილისაგან განვითარებულ ავთვისებიან ს-ს ეწოდება კარცინომა (ბერძნ. karkinos — კიბო), ხოლო შემაერთებელი ქსოვილისაგან განვითარებულს — *სარკომა*. ზოგ ქვეყანაში ყველა ავთვისებიანი ს. კიბოს (კანცერის) სახელწოდებითაა ცნობილი. კეთილთვისებიან და ავთვისებიან ს-ებს შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ ავთვისებიანი ს-თვის დამახასიათებელია სწრაფი ზრდა, სიმსივნური უჯრედების შეჭრა ირგვლივ მყოფ საღ ქსოვილებში (ინფილტრაციული ზრდა), სიმსივნური უჯრედების სისხლისა და ლიმფის გზით გადატანა დაშორებულ ორგანოებში და იქ მეორეული სიმსივნური კვანძების — *მეტასტაზების* გაჩენა, ს-ის ამოკვეთისას იმავე ადგილას განმეორებითი ს-ის განვითარება (*რეციდივი*).

ს-ის აღმოცენებამდე დიდი ხნით ადრე ქსოვილებში ხდება უჯრედთა ჯერ დიფუზური, ხოლო შემდეგ კეროვანი გამრავლება. ეს ცვლილებები ცნობილია როგორც სიმსივნისწინარე ანუ *კიბოსწინარე მდგომარეობა*. უკვე განვითარებული ს. დროთა განმავლობაში იძენს ახ. თვისებებს (ს-ის პროგრესია), რაც საფუძვლად უდევს სიმსივნური პროცესის დაყოფას სტადიებად. სტადიის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ს-ის პირველადი კვანძის ოდენობა და ორგანოში მისი გავრცელების ფარგლები (T), მეტასტაზების არსებობა უახლოეს (რეგიონალურ) ლიმფურ კვანძებში (N) და დაშორებულ ლიმფურ კვანძებსა და შინაგან ორგანოებში (M).

ს-ის განვითარების მიზეზებისა და ნორმალური უჯრედების სიმსივნურ უჯრედებად გარდაქმნის (მალიგნიზაციის) მექანიზმების შესახებ ცნობილია, რომ სიმსივნურ ზრდას იწვევს ვირუსი (ე. წ. ონკოგენური ანუ *სიმსივნისმბადი ვირუსი*), ზოგიერთი ქიმ. ნივთიერება (*კანცეროგენური ნივთიერებები*), მაიონიზებელი გამოსხივება; თამბაქოს კვამლში შემავალი ერთ-ერთი არომატული ნახშირწყალბადი — ბენზპირენი ფილტვის კიბოს განვითარების ძირითადი ფაქტორია. ეპიდემიოლოგიური დაკვირვებები ადასტურებენ, რომ გარკვეული ქვეყნისა თუ რეგიონისათვის დამახასიათებელია ს-ის ესა თუ ის სახე (იაპონიაში — კუჭის, ინგლისში — ფილტვის, აფრიკაში—ღვიძლის, ახლო აღმ-ში — პირის ღრუსა და საყლაპავის და ა. შ.). ადამიანებს შორის ს-ის სიხშირე დაკავშირებულია მოსახლ. პოპულაციის თავისებურებებთან. მაგ., ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა მაღალია, ს-ით გამოწვეულ სიკვდილიანობას მე-2 ადგილი უჭირავს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ. ავთვისებიან ს-ებს შორის ყველაზე ხშირია სარძევე ჯირკვლის, კანის, საშვილოსნოს, კუჭისა და ფილტვის კიბო.

ს-ის დიაგნოსტიკისათვის მიმართავენ ავადმყოფის კლინიკურ-ინსტრუმ. გამოკვლევას რენტგენოლოგიური, რადიოიზოტოპული, თერმოგრაფიული, ენდოსკოპიური, ციტოლოგიური, მორფოლ., ბიოქიმ. და იმუნოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ს-ის ხასიათის დასადგენად (ვერიფიკაცია) გადამწყვეტია *ბიოფსია* და ბიოფსიური მასალის მორფოლ. გამოკვლევა. ს-ის ხასიათთან ერთად აუცილებელია დაავადების სტადიის დადგენაც, რადგანაც მკურნალობის ტაქტიკა და მეთოდები სხვადასხვა სტადიის დროს — სხვადასხვაგვარია. ეფექტური მკურნალობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ს-ის ამოცნობას მის ადრეულ სტადიაში, როდესაც პროცესი ტკივილისა და რაიმე გამოკვეთილი კლინიკური სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს და ავადმყოფები, როგორც წესი, ექიმს არ მიმართავენ. ამიტომ ადრეულ სტადიაში ს-ის დასადგენად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელი მოსახლ. პერიოდულ პროფილაქტ. გასინჯვას, რაც მიზნად ისახავს არა მარტო ს-ის ადრეულ დიაგნოსტიკას, არამედ კიბოსწინარე დაავადებების გამოვლენას და მკურნალობას. კიბოთი დაავადებასთან ბრძოლის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობას შორის სანიტ.-განმან. მუშაობის სწორი ორგანიზაცია. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ კიბოსწინარე მდგომარეობა და კიბოს ადრეული ფორმები უმრავლეს შემთხვევაში იკურნება. ჩვენს რესპუბლიკაში კიბოსგან საბოლოოდ განკურნებული ათეულ ათასობით ადამიანი ცხოვრობს; სსრკ-ში მათი რაოდენობა 2 მლნ. აღწევს. მოსახლ. უნდა იცნობდეს იმ ნიშნებსაც, რ-ებიც ამ დაავადებებს ახასიათებთ (რბილ ქსოვილებში მკვრივი უბნების გაჩენა, დიდხანს შეუხორცებელი წყლულის არსებობა, ხალისა და მეჭეჭის მოცულობის ზრდა, უჩვეულო სისხლდენა და გამონადენი, ხანგრძლივი ხველება და ხმის ჩახლეჩა, ყლაპვის გაძნელება და საჭმლის მონელების მოშლა, დეფეკაციისა და შარდვის დარღვევა და სხვ.).

ს-ის **სამკურნალოდ** იყენებენ ქირურგ., სხივურ და სამკურნალწამლო საშუალებებს, აგრეთვე მათ სხვადასხვანაირ კომბინაციას. მკურნალობის მეთოდების შერჩევისას მხედველობაში მიიღება ს-ის ლოკალიზაცია, ხასიათი (შენება), სტადია და მრავალი სხვა ფაქტორი. მაგ., კუჭისა და ნაწლავების კიბოს დროს უპირატესი მნიშვნელობა აქვს ქირურგ. მეთოდს; კანის, ტუჩის, საშვილოსნოს ყელის კიბოს დროს — სხივურ მეთოდს; ლეგკოზის, ქორიონეპითელიომის დროს — ქიმიოთერაპიულ მეთოდს; სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს — სამივე ამ მეთოდის კომბინაციას და ა. შ.

ლიტ.: Клиническая онкология, под ред. Н. Н. Блохина и Б. Е. Петерсона, т. 1—2, М., 1971; Шабад Л. М., Предрак в экспериментально-морфологическом аспекте, М., 1967.

ლ. შარაშიძე.

ცხოველებში ს. ფართოდაა გავრცელებული. დაავადების სიხშირე ცხოველის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. ავადდება ყველა სახეობის ცხოველი, განსაკუთრებით ძაღლი და ქათამი. დიაგნოზს ადგენენ დაავადებული ცხოველის კლინიკური გამოკვლევის შედეგად. მკურნალობა ძირითადად ქირურგიულია, იყენებენ აგრეთვე სათანადო პრეპარატებსა და ჰორმონულ საშუალებებს.


მცენარეებში ს. შეიძლება გამოიწვიოს სოკოებმა, ბაქტერიებმა, ვირუსებმა, მწერებმა, ნემატოდებმა, აგრეთვე დაბალი ტემპ-რის მოქმედებამ. უმთავრესად ავადდება ფესვები, ძირხვენები, გორგლები, ღეროები, შედარებით იშვიათად— ფოთლები. **ბრძოლის ღონისძიებები** მიმართულია ს-ის გამომწვევი მიზეზების სალიკვიდაციოდ.

სიმსივნისმბადი ვირუსი, ონკოგენური ვირუსი, ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმში კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი სიმსივნის გამომწვევი ვირუსი. *ნუკლეინის მჟავას* ტიპის მიხედვით განარჩევენ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) შემცველსა და რიბონუკლეინის მჟავას (რნმ) შემცველ ს. ვ-ს.

დნმ-ს შემცველი ვირუსების ცნობილი 6 გვარიდან სიმსივნისმბადია Papovavirus, Adenovirus, Poxvirus და Herpesvirus გვარის წარმომადგენლები. აქედან მხოლოდ ჰერპესვირუსები იწვევენ თავიანთი ბუნებრივი მასპინძლის ორგანიზმში ავთვისებიან სიმსივნეს. ზოგიერთი დნმ-ს შემცველი ს. ვ-ის აქტივობის ნორმალური გამოვლინებაა კეთილთვისებიანი სიმსივნის წარმოშობა, ხოლო მრავალი მათგანი ლაბორ. პირობებში მაღალ ონკოგენურ (სიმსივნისმბად) თვისებებს იჩენს. დნმ-ონკოვირუსებს შორის ყველაზე მარტივი აგებულება აქვს Papovavirus-ის გვარში შემავალ მაიმუნის ვირუსს, SV 40 და თაგვების პოლიომის ვირუსს. მათი გენომი წარმოდგენილია დნმ-ს წრიული მოლეკულით, რ-იც შეიცავს მხოლოდ 3 გენს, მოლ. მასა კი $3 \cdot 10^6$-ს არ აღემატება. ადენოვირუსების გენომში იდენტიფიცირებულია 20-მდე გენი, დნმ არ არის წრიულად შეკრული, მოლ. მასა უდრის $25 \cdot 10^6$-ს.

რნმ-ს შემცველი ს. ვ-ის ანუ ონკორნავირუსების ვირიონებში შემავალი ერთძაფიანი რნმ-ს მოლეკულური წონა საშუალოდ არის $1 \cdot 10^7$. ამ ჯგუფს განეკუთვნება Leukovirus-ის გვარის A და B ქვეგვარები. A ქვეგვარის ვირუსები ცხოველთა მრავალ სახეობაში იწვევენ ბუნებრივ ლეიკოზსა და სარკომას. B ქვეგვარიდან ცნობილია ერთად-ერთი ონკოვირუსი, რ-იც განაპირობებს თაგვების სარძევე ჯირკვლების კიბოს განვითარებას. ონკორნავირუსების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია რაუსის სარკომის ვირუსი (აღმოაჩინა რაუსმა 1911), რ-ის შესწავლამაც დიდი როლი ითამაშა ონკოვირუსოლოგიის განვითარებაში.

ს. ვ-ის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საბჭ. მეცნიერს ლ. ზილბერს, რ-ის მიერ წამოყენებული **ვირუს-გენეტიკური თე-**



სიმტკიცე. ორი ატომის ურთიერთქმედების ძალის დამოკიდებულება მათ შორის მანძილზე.

ორიის თანახმად, უჯრედის სიმსივნურ გარდაქმნას საფუძვლად უდევს მისი *გენომის* გაერთიანება ონკოგენური ვირუსის გენომთან.

დადგენილია, რომ ს. ვ. ერთ შემთხვევაში იწვევს უჯრედის არაკონტროლირებულ გამრავლებას — სიმსივნურ ზრდას (მაგ., სარკომის ვირუსი). მეორე შემთხვევაში — უჯრედების *ლიზისს* (ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ლეიკოზი). ს. ვ-ის აქტივობის პირველი ფორმა განპირობებულია ვირუსული გენომის ჩართვით უჯრედის ქრომოსომაში, რის შედეგადაც უჯრედი იძენს განუსაზღვრელი გამრავლების უნარს. ამ მოვლენას ტრანსფორმაციას უწოდებენ. ცნობილია, რომ მეზობლად მდებარე ნორმალური უჯრედები ერთმანეთის ზრდაზე ორმხრივ შემაკავებელ გავლენას ახდენენ, რასაც კონტაქტური ინჰიბირება დაერქვა. სიმსივნის განვითარების მიზეზია ტრანსფორმირებული უჯრედების მიერ კონტაქტური ინჰიბირების უნარის დაკარგვა. უჯრედის ქრომოსომებში ვირუსული გენომის ინტეგრირებით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ასეთ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტაქტური ონკოგენური ნაწილაკების გამოყოფა. როგორც აღინიშნა, ვირუსისა და მასპინძელი უჯრედის ურთიერთობა შეიძლება სხვა გზითაც წარიმართოს: თუ ვირუსი მოხვდა ე. წ. პერმისიულ უჯრედებში, სადაც მას გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობები ექნება, მაშინ ვირუსულ ნაწილაკთა რაოდენობის სწრაფი ზრდა გამოიწვევს ქსოვილის ლიზისს.

60-იანი წწ. დასაწყისში პ. ტემინმა აღმოაჩინა ონკორნავირუსების ნუკლეინის მჟავას სინთეზის განსაკუთრებული ტიპი: უჯრედში ვირუსული რნმ-ს შეჭრის შემდეგ მიმდინარეობს არა მის მიმართ კომპლემენტარული რნმ (−)-მოლეკულის აგება, როგორც ეს სხვა რნმ-ვირუსების გამრავლების დროს ხდება, არამედ სპეციფ. ფერმენტის — რნმ დამოკიდებული დნმ-ტრანსფერაზას ანუ რევერტაზას მეშვეობით დნმ-ს პაფის ტრანსკრიფცია. ეს ერთძაფიანი დნმ ფერმენტული რეაქციების გზით გარდაიქმნება ორძაფიან მოლეკულად, რ-იც რეკომბინაციის შედეგად ჩაირთვება მასპინძელი უჯრედის ქრომოსომაში და პროვირუსად იქცევა. სათანადო პირობებში ამ ინტეგრირებული დნმ-ს მიხედვით წარმოიებს ვირუსული დნმ-ს ტრანსკრიბირება და უჯრედში აიწყობა ახ. ვირუსული ნაწილაკები.

ექსპერ. მონაცემები მოწმობს, რომ დნმ-ს შემცველი ს. ვ-ის მიერ ტრანსფორმირებულ, ე. წ. „უვირუსო" სიმსივნური უჯრედების ქრომოსომებში მოიპოვება ამ ონკოვირუსის გენომი ფუნქციურად აქტ. მდგომარეობაში. ონკორნავირუსების გენეტ. ინფორმაცია დნმ-ს სახით აღმოჩენილია აგრეთვე ხერხემლიანთა ცოველ ნორმალურ უჯრედში, რ-იც ამ თვალსაზრისით იყო შესწავლილი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით წამოყენებულია შემდეგი ჰიპოთეზა: სხვადასხვა კანცეროგენული ფაქტორის (მ. შ. ეგზოგენური ს. ვ-ის) მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს იმ ონკოგენური ინფორმაციის გააქტივებაში, რ-იც დათრგუნული სახით არის წარმოდგენილი ყველა უჯრედში.

უკანასკნელ წლებში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ადამიანის სიმსივნის ვირუსული ეტიოლოგიის დადგენის საკითხს. ზოგიერთი მონაცემი მიუთითებს ადამიანის სხვადასხვა სახის სიმსივნესა და გარკვეულ ვირუსებს შორის კავშირზე. Poxvirus-ის გვარის რამდენიმე სახეობა იწვევს ადამიანის კანის სიმსივნეს როგორც ბუნებრივ, ისე ექსპერ. პირობებში. არსებობს მოსაზრება, რომ ეფსტაინ-ბარის ვირუსი ინფექციური მონონუკლეოზის გარდა განაპირობებს ბერკიტის ლიმფომას და, შესაძლოა, ცხვირ-ხაბის კიბოსაც. საშვილოსნოს ყელის სიმსივნეს პერპესის ვირუსის ერთ-ერთ ტიპს უკავშირებენ. ადამიანის სარძევე ჯირკვლების კიბოს ვირუსული წარმოშობის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი ფაქტები: ქალის რძეში აღმოჩენილია ნაწილაკები, რ-ებიც მორფოლოგიურად თაგვებში ანალოგიური დაავადების გამომწვევი ვირუსის მსგავსია; გარდა ამისა, ამ ორი სახის ვირუსიდან გამოყოფილი რნმ-ს მოლეკულები ერთმანეთთან ჰიბრიდიზაციის საკმაოდ მაღალ უნარს იჩენენ, რაც მათში ნუკლეოტიდების ჰომოლოგიურ თანამიმდევრობათა არსებობაზე მიუთითებს.

ლიტ.: Биология вирусов животных, пер. с англ., т. 2, М., 1977; Гохлернер Г. Б., Опухолеродные вирусы, Большая Советская Энциклопедия, 3 изд., т. 18, с. 460—461; Зильбер Л. А., Ирлин И. С., Киселев Ф. Л., Эволюция вирусо-генетической теории возникновения опухолей, М., 1975; Лурия С., Дарнелл Дж., Общая вирусология, пер. с англ., М., 1970; Уотсон Дж., Молекулярная биология гена, пер. с англ., М., 1978. *თ. ჭანიშვილი.*

სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებანი, ანტიბლასტომური საშუალებანი, პრეპარატები, რ-ებსაც იყენებენ ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ. ს. ს. ს. სინთეზური ან ბუნებრივი წარმოშობის ნაერთებია და იყოფა რამდენიმე ჯგუფად: ქიმიოთერაპიული პრეპარატები, ანტიბიოტიკები, ჰორმონული და იმუნომასტიმულირებელი პრეპარატები. ქიმიოთერაპიულ პრეპარატებს განეკუთვნება მაალკილირებელი შენაერთები (სარკოლიზინი, ციკლოფოსფატი, თიოფოსფამიდი, პროსტიდინი, ბენზოტეფი, დიოდბენზოტეფი და სხვ.), ანტიმეტაბოლიტები (მეტოტრექსატი, 6-მერკაპტოპურინი, 5-ფტორურაცილი, ფტორაფური და სხვ.), მცენარეული წარმოშობის ალკალოიდური ან ანტიმიტოზური ნივთიერებები (კოლხამინი, ვინკრისტინი, ვინბლასტინი). ანტიბიოტიკებიდან ს. ს. ს-ს განეკუთვნება აქტინომიცინი, C, D, კარმინომიცინი, ბლეომიცინი, ადრიამიცინი და ა. შ. ონკოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება აგრეთვე ფერმენტები და ჰორმონული პრეპარატები — ქალისა და მამაკაცის სასქესო ჰორმონები, კორტიკოსტეროიდები.

ს. ს. ს-ით მკურნალობა ძირითადად დაფუძნებულია იმ ბიოქიმ. სხვაობაზე, რ-იც არსებობს ნორმალურ და სიმსივნურ ქსოვილებს შორის. ს. ს. ს-ს იყენებენ მხოლოდ სიმსივნეების განსაზღვრული ჰისტოლ. ფორმების მკურნალობის დროს. აღნიშნული პრეპარატები თრგუნავენ სიმსივნური უჯრედების ინტენს. გამრავლებას, მაგრამ ისინი მოქმედებენ აგრეთვე სისხლმბადი ორგანოების ნორმალურ უჯრედებზე, კანისა და ნაწლავების ეპითელიუმზე, რ-იც ისევე სწრაფად მრავლდება, როგორც სიმსივნური უჯრედები. ს. ს. ს-ით მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ე. წ. გვერდითი მოვლენები — გულისრევა, პირღებინება, მადის დაკარგვა, ფაღარათი, სისხლში ლეიკოციტების, თრომბოციტებისა და ერითროციტების რაოდენობის შემცირება და სხვ.

ს. ს. ს. ენიშნებათ დასალევად, ვენაში შესაყვანად და სხვ. კანის სიმსივნის დროს — ადგილობრივად აპლიკაციების და შეზელვის სახით. არსებობს სპეც. მეთოდებიც — პრეპარატები შეჰყავთ იმ სისხლძარღვებში, რ-ებიც სისხლით ამარაგებენ სიმსივნეს.

ბოლო წლებში გავრცელდა პოლიქიმიოთერაპია — ორგანიზმში ერთდროულად ან თანმიმდევრულად შეჰყავთ სხვადასხვა მოქმედების, მექანიზმისა და ქიმ. სტრუქტურის მქონე ს. ს. ს. ავთვისებიანი სიმსივნეების სინთეზური პრეპარატებით და ბუნებრივი წარმოშობის ნაერთებით მკურნალობა ავსებს ქირურგ. და სხივურ მკურნალობას, ზოგჯერ კი მკურნალობის ერთადერთი მეთოდია, რ-ის საშუალებითაც შესაძლებელია ზოგიერთი სიმსივნის (ქორიონეპითელიომა, სათესლე ჯირკვლის სიმსივნე, და სხვ.) სრული განკურნება. *რ. უმიკაშვილი.*

სიმსუქნე, ორგანიზმში ცხიმოვანი ქსოვილის ჭარბი რაოდენობით დაგროვება. საფუძვლად უდევს სინთეზის პროცესების სიჭარბე დაშლის პროცესებთან შედარებით. ს-ის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია ცხიმოვანი და ნახშირწყლოვანი ცვლის მოშლა, რასაც მოსდევს, ნახშირწყლების გაძლიერებული გარდაქმნა ცხიმებად. ს. უმეტესად ალიმენტურია, ე. ი. ვითარდება საკვების (განსაკუთრებით ნახშირწყლებით და ცხიმებით მდიდარი) ჭარბი რაოდენობით მიღების შედეგად. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფიზ. აქტივობის შეზღუდვას და მემკვიდრეობით მიდრეკილებას ს-დმი. უფრო იშვიათად ს-ის მიზეზია ნერვული სისტემისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაავადებანი — თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება (იცენკო-კუშინგის დაავადება), ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება (*მიქსედემა*) და სხვ. ს. შეიძლება განვითარდეს ენებისმიერ ასაკში. ზოგჯერ ცხიმი თანაბრად ლაგდება ორგანიზმში, ზოგჯერ კი მხოლოდ სხეულის ერთ ნაწილში (იხ. *ლიპომატოზი*)

ბროკას ინდექსით ადამიანის სხეულის ნორმალური წონა, გამოხატული კილოგრამებში, დაახლ. უნდა შეადგენდეს მის სიმაღლეს, გამოხატულს სანტიმეტრებში მინუს 100. ამ დონეზე 20%-ით მეტი წონა უკვე ს-დ ითვლება. ს. იწვევს გულის მუშაობის დარღვევას, საყრდენ-სამოძრაო აპარატის ცვლილებებს, ყველა სახის ნივთიერებათა ცვლის მოშლას. ხშირად შერწყმულია შაქრიან დიაბეტთან, ათეროსკლეროზთან, პიპერტონიულ და გულის იშემიურ დაავადებებთან, ფილტვების ქრონ. ანთებასთან, ნაღველკენჭოვან დაავადებასთან. ს. ხელს უწყობს ორგანიზმის ნაადრევ სიბერეს.

მკურნალობა — სათანადო დიეტა (ცხიმის, ნოყიერი კერძების, შაქრის, ტკბილეულის, პურისა და მისი ნაწარმის, სითხის შეზღუდვა), სამკურნ. ფიზკულტურა, ფეხით სიარული, ანორექსიგენული საშუალებანი; ს-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია, ს-ის პროფილაქტიკა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს. *ვ. ალადაშვილი.*

სიმტკიცე, მასალის თვისება გარკვეულ პირობებსა და საზღვრებში რღვევის გარეშე გაუძლოს ამა თუ იმ ზემოქმედებას, (დატვირთვები, არათანაბარი ტემპ-რა, მაგნიტური ელექტრული და სხვა ველები, არათანაბარი გაშრობა ან გაჯირჯვება, სხეულის სხვადასხვა ნაწილში ფიზიკურ-ქიმიური პროცესების არათანაბარი მიმდინარეობა და სხვ.), სხვადასხვა შემთხვევისათვის ს-ის კრიტერიუმებია პროპორციულობის, დენადობის, ცოცვადობის ზღვრები და ა. შ. ს. შეიძლება იყოს: 1. თეორიული, რ-საც ანგარიშობენ ატომთშორისი შეჭიდულობის ძალებით (იგი დაახლ. შეადგენს გრძივი დრეკადობის მოდულის 0,1); 2. ტექნიკური, რ-იც ახასიათებს რეალურ მასალას (ზოგიერთი ფოლადისათვის იგი შეადგენს თეორ. ს-ის დაახლ. 1/10, ხოლო მყარი სხეულების უმრავლესობისათვის — თეორ. ს-ის მეასედებს, ზოგჯერ მეათასედებსაც); 3. კონსტრუქციული—ს. კონსტრ. ელემენტებისა — შენადუღი კვანძებისა, მუხლა ლილვებისა, ჭანჭიკებისა, ტურბინის ფრთებისა და ა. შ. (კონსტრ. ს. ტექ. ს-ზე დაბალია, რაც აიხსნება კონსტრ. ელემენტებში ნასერებისა და სხვა ზედაპირული დეფექტების არსებობით, შიგა ძაბვებით, ლაბორ. ნიმუშებთან შედარებით დატვირთვის უფრო მძიმე რეჟიმითა

და სხვა მიზეზებით); 4. დინამიკური — მასალის თვისება რღვევის გარეშე აიტანოს დინამ. დატვირთვები; 5. ხანგრძლივი — დიდი ხნის განმავლობაში ცოცვადობის პირობებში მყოფი მასალის ს.

ძაფის, მავთულის, ბოჭკოსა და სხვა მსგავსი მასალის (კუთრი) ს. არის სიდიდე, რ-იც ტოლია ძაფზე, მავთულსა და მისთ. მოდებული გამწყვეტი ძალვის ფარდობისა მათ წრითის სიმკვრივესთან. ერთეულთა საერთაშ. სისტემაში (SI) ს-ს გამოსახავენ *მპ/კგ*-ებით. 1 *კმ*-ის ტოლი გაწყვეტის სიგრძე შეესაბამება ს-ს, რ-იც უდრის 1 $გძ \cdot კმ/გ = 1$ $გძ/ტჭ = 10\ მნ/ტჭ = 10\ კნ \cdot მ/კგ$ (იხ. *ტექსი*).

ს-ის ფიზიკური ბუნება. მყარ სხეულთა ს. საბოლოოდ დამოკიდებულია შემადგენელ ატომებსა და მოლეკულებს შორის ურთიერთქმედების ძალებზე, ეს უკანასკნელნი კი — უმთავრესად ატომების ურთიერთგანლაგებაზე, მაგ., ორი მეზობელი ატომის ურთიერთქმედების ძალა (თუ უგულებელვყოფთ გარშემო მყოფი ატომების გავლენას) დამოკიდებულია მხოლოდ მათ შორის მანძილებზე (იხ. ნახ.). $r_0 \sim 10^{-8}$ სმ (1Å) წონასწორულ მანძილებზე ეს ძალა ნულის ტოლია. მცირე მანძილებზე ძალა დადებითია და ატომები განიზიდავენ ერთმანეთს, დიდ მანძილებზე კი — მიიზიდავენ, კრიზისულ $r_კ$ მანძილზე მიზიდვის ძალა აბსოლ. სიდიდით მაქსიმალურია და უდრის F_m მაგ., თუ S_0 განივკვეთის მქონე ცილინდრული ღეროს გაჭიმვისას მოქმედი P ძალა, რ-იც მიმართულია მისი ღერძის გასწვრივ, ისეთია რომ ატომთა მოცემულ წყვილზე მოსული გარე ძალა აღემატება მიზიდვის მაქს. F_m ძალას, მაშინ ეს ატომები დაუბრკოლებლად შორდებიან ერთმანეთს. სხეული რომ რომელიმე ზედაპირის გასწვრივ დაირღვეს, აუცილებელია განსახილველი ზედაპირების ორივე მხარეს მდებარე ატომების ყველა წყვილზე მოქმედებდეს F_m-ზე მეტი ძალა. F_m ძალის შესაბამის σ_m ძაბვას უწოდებენ თეორ. ს-ს გარღვევაზე ($\sigma_m \approx 0{,}1E$, სადაც E იუნგის მოდულია). ცდების დროს შეიმჩნევა, რომ გარღვევა ხდება P^* დატვირთვისას, რ-ეც შეესაბამება $\sigma = P^*/S$ ძაბვა. ეს ძაბვა 100—1000-ჯერ ნაკლებია σ_m-ზე. თეორ. ს-ის განსხვავება ნამდვილისაგან იმით აიხსნება, რომ სხეულის სტრუქტურა არაერთგვაროვანია (მარცვალთა საზღვრები პოლიკრისტალურ მასალაში, გარეშე ჩანართები და სხვ.), რის გამოც P დატვირთვა სხეულის განივკვეთზე არათანაბრად ნაწილდება.

ლიტ.: Регель В. Р., Слуцкер А. И., Томашевский Э. Е., Кинетическая природа прочности твердых тел, М., 1974.

სიმულაცია (ლათ. simulatio — მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა), ადამიანის მიერ იმ დაავადების ან დაავადების ცალკეული ნიშნების ყალბი გამოხატვა, რ-იც მას სინამდვილეში არა აქვს. განარჩევენ განზრახ და პათოლ. ს-ს. განზრახ ს-ს ჩვეულებრივ ანგარებითი მიზანი აქვს (შრომისუუნარობის გამო დახმარების მიღება, სამხ. სამსახურიდან თავის არიდება და სხვ.). პათოლოგიური ს. განპირობებულია ადამიანის ავადმყოფური მდგომარეობით; თავისი არსით ეს არის ადამიანის ავადმყოფობის (მაგ., ისტერიის) ერთ-ერთი სიმპტომი. ს-გან უნდა განვასხვაოთ: თვითჩაგონება, როდესაც ადამიანი (ჩვეულებრივ ფსიქიკურად დაავადებული) დარწმუნებულია, რომ მართლაც მძიმე სომატური დაავადება (მაგ., კიბო) აქვს; აგრავაცია — დაავადების სიმპტომების გაზვიადება; სხეულის ნაწილების დაზიანება — ხელოვნურად გამოწვეული დაავადება ან სხეულის დაზიანება. დისიმულაციის დროს ავადმყოფი შეგნებულად მალავს თავის ავადმყოფობას (მაგ., სამუშაოზე ან სასწ. დაწესებულებაში მოხვედრის მიზნით).

საბჭ. კანონმდებლობით ს. სამხ. სამსახურში გაწვევისათვის ან სამხ. სამსახურის შესრულებისათვის თავის არიდების მიზნით იწვევს სისხლის სამართ. პასუხისმგებლობას (საქ. სსრ სისხლის სამართ., კოდ., მმ. 81, 267). დისიმულაცია არ ისჯება სისხლის სამართ. წესით, მას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ იურიდ. შედეგი (მაგ., სამსახურიდან განთავისუფლება).

სიმფეროპოლი, ქალაქი, უკრ. სსრ ყირიმის ოლქის ცენტრი, მდ. სალგირის ნაპირზე. რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. აეროპორტი. 324 ათ. მცხ. (1983).

დაარსდა 1784 როგორც ტავრიდის ოლქის ადმ. ცენტრი (1787—96 და 1802-იდან—გუბერნია). 1900 აღმოცენდა ს.-დ. ორგანიზაციები. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 13 (26) იანვ. 1941 წ. 1 ნოემბრიდან 1944 წ. 13 აპრ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. ქალაქი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1984).

ს-ში განვითარებულია კვების (საკონსერვო, ღვინის, ეთერზეთების, სახორცე-სარძეო, თამბაქოს მრეწვ.), მსუბუქი (ტრიკოტაჟის, ბამბეულის, საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ.). მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ., ქიმ., საშენ მასალათა მრეწველობა. ვ. ი. ლენინის სახ. სრესი.

ომის შემდგომ წლებში ს-ში შეიქმნა საზ. ცენტრი, გაშენდა პარკი, საცხოვრ. რ-ნები. აშენდა რკინიგზის სადგური (1953, არქიტ. ა. დუშკინი და სხვ.), პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე (1971, არქიტექტორები ბ. იაბჩანკი, ე. კონდრაცკი); დგას ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1967, მოქანდაკე ვ. სტამოვი). ს-ში არის 3 უმაღლესი სასწავლებელი (მ. შ. უნ-ტი), 9 სამ. სპეც. სასწავლებელი, 3 თეატრი, მხარეთმცოდნეობის, სამხატვრო მუზეუმები. ტურბაზა. ს. ტროლეიბუსით უკავშირდება ყირიმის სამხრ. სანაპიროს.


სიმფონია (ბერძნ. symphonia — თანაჟღერა < syn — ერთად და phōnē — ბგერა), სონატურ-ციკლური ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რ-იც განკუთვნილია სიმფონიური ორკესტრისათვის. ს. *სიმფონიური მუსიკის* უმნიშვნელოვანესი ჟანრია. ზოგჯერ მასში ჩართულია გუნდი და მომღერალი სოლისტები. ს. იქმნება სიმებიანი, სასულე, ხალხ. საკრავებისა და სხვ. ორკესტრებისათვის, ჩვეულებრივ ს. შედგება 4 ნაწილისაგან: პირველი ნაწილი — სონატური ალეგროს ფორმით; მეორე — ნელი, ლირიკული; მესამე — მენუეტი ან სკერცო, მეოთხე — ფინალი, ხშირად რონდოს ფორმის სასიმღერო-საცეკვაო თემებით. ს. საკრავიერი მუსიკის უმაღლესი ფორმაა. ტერმინმა „ს-მ" დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო მხოლოდ XVIII ს-ში. ძვ. საბერძნეთში იგი აღნიშნავდა გარკვეულ ინტერვალებს, საკრავებს, მოგვიანებით დას. ევროპაში—კონსონანსს, სიმღერას, საზოგადოდ მუსიკას; მხოლოდ XVI ს-ში დაიწყეს მისი გამოყენება ზოგიერთი ეკალურ-საკრავიერი ნაწარმოების აღსანიშნავად. XVII ს. დასაწყისიდან ს-ს უფრო ხშირად უწოდებდნენ სიუიტის, კანტატისა და განსაკუთრებით ოპერის საკრავიერ შესავალს. კლასიკური ს-ის მომზადების ერთგვარი საფეხური იყო ვენეციური და განსაკუთრებით ნეაპოლური „საოპერო სიმფონიების" (ა. სკარლატი, ნ. პორპორა, ჯ. ბ. პერგოლეზი, ჯ. ბ. სამარტინი და სხვ.), ე. ი. ოპერების საორკესტრო შესავლები. ამ ნაწარმოებთა პირველ ნაწილში უკვე გვხვდება სონატური ფორმის ჩანასახები. XVIII ს-ში გამოყო ოპერას, როგორც დამოუკიდებელი საკონცერტო ჟანრი. ს-ის ფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია *მანჰაიმის სკოლის* კომპოზიტორთა მოღვაწეობასთან. ს-ის სფეროში მუშაობდნენ აგრეთვე იტალ., ავსტრ., ფრანგი კომპოზიტორები. ჩამოყალიბდა ს-ის ოთხნაწილიანი სტრუქტურა. XVIII ს. შუა წლებში ს-ის შემადგენლობაში შევიდა მენუეტი, XIX-ში — სკერცო.

ს-ის სრულყოფილი ნიმუშები შექმნეს ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენლებმა — კომპოზიტორებმა: ჰაიდნმა (104 ს.), მოცარტმა (49 ს.), ბეთჰოვენმა (9 ს.).


რომანტიკოსმა კომპოზიტორებმა შეინარჩუნეს ოთხნაწილიანი ციკლის ტრად. სქემა, მაგრამ მასში ახ. ლირ. შინაარსი შეიტანეს. ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს ფ. შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია", სი მინორი (ავტორია 8 ს-ის). ამ ხაზმა გაგრძელება პოვა ფ. მენდელსონ-ბართოლდის სიმფონიებში.

რომანტიკოსი კომპოზიტორების სებისთვის დამახასიათებელია პროგრამულობა. აღსანიშნავია ბერლიოზის ნოვატორული „ფანტასტიკური სიმფონია" (ავტორია 4 ს-ისა); მოგვიანებით შექმნილი ლისტის ს-ები „ფაუსტი" და „დანტე", ბრამსისა (4) და შუმანის ს-ები (4). პროგრამული ჩანაფიქრი რომანტ. მუსიკაში უფრო ხშირად ხორცშესხმული იყო ერთნაწილიან სიმფ. პოემებში, ფანტაზიებსა და სხვ. XIX ს. ბოლო მეოთხედში მნიშვნელოვანია დვორჟაკის (9 ს., მ. შ. ს. „ახალი ქვეყნიერებიდან"), ბრუკნერის (9 ს.), სენ-სანსის (3 ს.) წვლილი. ს-ის გამოჩენილ ავტორს გ. მალერს (XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ.) თავის ს-ებში (9 დასრულებული) ზოგჯერ ვოკალური საწყისებიც შეჰქონდა. თუ XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ბატონობდა დიდი ს. (ხშირად ორკესტრის გაფართოებული შემადგენლობისათვის), მოგვიანებით დიდ როლს თამაშობდა მასშტაბებით უფრო მცირე და სოლისტთა ანსამბლისათვის განკუთვნილი „კამერული სიმფონია". XX ს. დასავლეთევროპელი სიმფონისტებიდან აღსანიშნავია ა. ონეგერი (5 ს.), დ. მიიო და სხვ.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ს-ის ჟანრს რუს. მუსიკაში. განსაკუთრებით გამოირჩევა ა. ბოროდინის (2 დასრულებული ს., მე-2 — „გოლიათური"), პ. ჩაიკოვსკის (6 ს., მე-6 „პათეტიკური", აგრეთვე პროგრამული ს. „მანფრედი"), ა. გლაზუნოვის (8 დასრულებული ს.). ა. სკრიაბინის (3 ს.) და ს. რახმანინოვის (3 ს.) ს-ები. ს-ს დიდი ადგილი უჭირავს საბჭ. კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც: ნ. მიასკოვსკი (27 ს.), ს. პროკოფიევი (7 ს.), ა. ხაჩატურიანი (3 ს.) და, განსაკუთრებით, დ. შოსტაკოვიჩი (15 ს.), რ-იც XX ს. ერთ-ერთ უდიდეს სიმფონისტად ითვლება.



სიმფეროპოლი. რკინიგზის ვაგზალი. 1953. არქიტექტორი ა. დუშკინი.



სიმძიმის ძალა.

ტადაა აღიარებული. თანამედროვე კომპოზიტორთაგან გამოირჩევა რ. შჩედრინის, შ. ვაინბერგის, ბ. ჩაიკოვსკის, ბ. ტიშჩენკოს და სხვ. ს-ები.

ქართ. კომპოზიტორთაგან პირველი ს-ის ავტორია დ. არაყიშვილი (1932). მნიშვნელოვანი ს-ები შექმნეს ა. ბალანჩივაძემ (3 ს.), შ. მშველიძემ (6 ს.), ა. მაჭავარიანმა (4 ს.), ო. თაქთაქიშვილმა (2 ს.), ს. ცინცაძემ (4 ს.), დ. თორაძემ (2 ს.), ს. ნასიძემ (7 ს.), გ. ყანჩელმა (6 ს.), ფ. ღლონტმა (8 ს.).

ლიტ.: Беккер П., Симфония от Бетховена до Малера, [пер. с нем.], Л., 1926; Конен В., Театр и симфония, 2 изд., М., 1975; Попова Т., Симфония. Пояснение, М.—Л., 1951.

სიმფონიეტა (იტალ. sinfonietta), მცირე ზომის *სიმფონია*.

სიმფონიური მუსიკა, სიმფონიური ორკესტრისათვის განკუთვნილი მუსიკა. ს. მ-ს მიაკუთვნებენ იმ ნაწარმოებებსაც, რ-საც ასრულებს გუნდი, სოლისტი მომღერლები, თუ მათში ბატონობს საკრავიერი საწყისი. ცნება „ს. მ." აღნიშნავს აგრეთვე მუსიკას საკრაისა (ან საკრავების) და ორკესტრისათვის. ს. მ-ის ჟანრები მრავალგვარია და შეიცავს როგორც დიდ, მრავალნაწილიან ნაწარმოებებს, ასევე მინიატიურებსაც. უმნიშვნელოვანესი ჟანრებია: სიმფონია, უვერტიურა (დამოუკიდებელი საკონცერტო პიესა ან ოპერის შესავალი), კონცერტი, სიუიტა, სიმფ. პოემა, ფანტაზია. ს. მ-ს მიაკუთვნებენ ოპერის საორკესტრო ეპიზოდებს — სიმფ. სურათებს, ინტერმეცოებს.

პირობითად ს. მ-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე ნაწარმოებებს, რ-ებიც შეიქმნა ჯერ კიდევ სიმფ. ორკესტრის გაჩენამდე და განკუთვნილი იყო ორკესტრისათვის ან საანსამბლო-საორკესტრო შემადგენლობისათვის. ესაა XVII ს. I ნახ. და XVIII ს. საეკკაო სიუიტა, კონჩერტო გროსო, საოპერო უვერტიურის ადრინდ. ნაირსახეობანი, სერენადა, დივერტისმენტი. სიმფ. ორკესტრის ჩამოყალიბება (XVIII ს. დასასრ.) მიმდინარეობდა ს. მ-ის დამახასიათებელი ახ. ჟანრების და, პირველ რიგში, სიმფონიის შექმნის პარალელურად. ამ პროცესში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის მანჰაიმისა და განსაკუთრებით *ვენის კლასიკური სკოლას* (ი. ჰაიდნი, ვ. ა. მოცარტი, ლ. ბეთჰოვენი). ს. მ-ს საფუძველი ჩაუყარა ჰაიდნმა. უდიდესი წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში მოცარტმა და ბეთჰოვენმა (ამ უკანასკნელის შემოქმედება მსოფლიო ს. მ-ის მწვერვალია). საბჭ. ს. მ-ის გამოჩენილი ოსტატები არიან ნ. მიასკოვსკი, ს. პროკოფიევი, ა. ხაჩატურიანი და განსაკუთრებით დ. შოსტაკოვიჩი.

ქართ. ს. მ-ის სათავეებთან დგას დ. არაყიშვილი; ს. მ-ის ჟანრებში მუშაობდნენ გ. კილაძე, ი. ტუსკია, ფუძემდებელი როლი შეასრულეს შ. მშველიძისა და ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებებმა. ქართ. ს. მ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. მაჭავარიანმა, ო. თაქთაქიშვილმა, დ. თორაძემ, ს. ცინცაძემ, ს. ნასიძემ, გ. ყანჩელმა. ფ. ღლონტმა.

ლიტ.: Попова Т. В., Симфоническая музыка, М., 1963; Соллертинский И., Исторические типы симфонической драматургии, М., 1963.

სიმფორა (ბერძნ. simphora — შეფარდება, შეთავსება), მეტაფორული გამოხატვის ფორმა, სადაც გამოტოვებულია შედარების შუალედური რგოლი. მაგ., „სამრეკლოს ანგრევენ ზარები" (გ. ტაბიძე).

სიმფსონის უდაბნო (Simpson Desert), უდაბნო ავსტრალიის ცენტრ. ნაწილში. ფართ. 112,6 ათ. *კმ*². უმთავრესად ქვიშიანი უდაბნოა 250 *კმ*-მდე სიგრძისა და 20—60 *მ* სიმაღლის პარალელური სერებით. იანვ. საშ. ტემპ-რა 28—30°C, ივლ. 12—15°C. ნალექები 130 *მმ* წელიწადში. ხარობს ქსეროფიტული ბუჩქნარი, მარცლოვნები. არის მშრალი ხეების (კრიკების). სიმფსონის ეროვნ. პარკი.

სიმღერა, ვოკალური მუსიკის ყველაზე გავრცელებული ფორმა, პოეტური ნაწარმოების სახეობა. არსებობს ხალხ. და პროფესიული ს. ს. სხვადასხვაგვარია ჟანრის, წყობის, შესრულების ფორმის მიხედვით (რევოლუციური და ყოფითი, ლირ. და ჰიმნური, ერთხმიანი და მრავალხმიანი, სოლო და საგუნდო, თანხლებით და თანხლების გარეშე, პროფესიონალი მომღერლისათვის და მასობრივი შესრულებისათვის). ზოგ ქვეყანაში ტერმ. „ს-ით" (გერმანულად Lied, ფრანგულად chanson, ინგლისურად — song) აღნიშნავდნენ რომანსსაც.

ხალხ. ს. მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია შრომით პროცესებთან. შორეულ წარსულში აღმოცენდა საწესჩვეულებო ს-ები. ხალხ. ს-მ გავლენა იქონია პროფესიული ს-ის ჩამოყალიბებაზე. პროფ. ს-ს ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ს-ის, როგორც ჟანრის, ლიტ. სახეობა წარმოიშვა ძვ. წ. VII—V სს. საბერძნეთში საკულტო-საწესჩვეულებო ცერემონიალთა შესასრულებლად, აგრეთვე როგორც ღმერთების სადიდებლად აღვლენილი ჰიმნები ან სპორტ. შეჯიბრებებში გამარჯვებულთა ხოტბა (პინდარე). ანტ. ეპოქაში პოეზია და მუსიკა განუყოფელი იყო. ტრუბადურებისა და ტრუვერების, მინეზინგერებისა და მაისტერზინგერების შემოქმედება, საერო საგუნდო პოლიფონიური ს., ყოფითი სოლო და საანსამბლო ს-ის სხვადასხვა ფორმა, ჰუსიტური ს-ები, ჰუგენოტების ჰიმნები, პროტესტანტების ქორალები—ასეთია ევრ. ქვეყნებში პროფ. ს-ის განვითარების ძირითადი ეტაპები. XVIII ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა კამერული ს.-რომანსი კლავიშიანი საკრავის თანხლებით. საფრ. რევ. პერიოდში დიდ განვითარებას მიაღწია მასობრივმა რევოლუციურმა ს-მ („მარსელიეზა", „სა ირა" და სხვ.).

ს-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XIX ს. კომპოზიტორთა შემოქმედებაში. შეიქმნა ს-ის ახ. სახეობა, რ-საც საფუძვლად დაედო ეროვნ. სოც.-კლასობრივი თემატიკა, მაგ., ფრანგული „ინტერნაციონალი", პოლონური „ვარშავიანკა" და სხვ.

XX ს. 20-იანი წლებიდან შეიმჩნევა სასიმღერო ჟანრის აყვავება ევროპულ ქვეყნებში (ჯ. აისლერი). დიდ განვითარებას მიაღწია საესტრადო (ჯაზურმა) ს-მ. ს. ქართული ხალხ. მუსიკის ძირ.თადი ფორმაა (პირველი ცნობები მის შესახებ გვხვდება ძვ. წ. VIII ს-ში). ქართ. ხალხ. ს-ის დამახასიათებელი თვისებაა მრავალხმიანობა. გავრცელებულია ს-ის კუპლეტური ფორმა. ვხვდებით ს-ის ორგუნდოვან და სამგუნდოვან (მესხეთი) შესრულებას. XVII—XIX სს. აღმოსავლური (სპარს., რუს., თურქ.) და დასავლური (იტალ. ოპერა, რუს. რომანსი) მუს. კულტურის გავლენით შეიქმნა ქართ. ქალაქური ს. ს-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართვ. კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ლიტ.: Асафьев Б., О русской песенности, Избр. труды, т. 4, М., 1955; Васина-Гроссман В. А., Романтическая песня XIX века, М., 1966; Ю. Б. Соколов. Музыка и поэтическое слово, ч. 2, 3, М., 1978; Сохор А. Н., Путь советской песни, М., 1968.

მ. ჩიჯავაძე. გ. ზაუტაშვილი.

„სიმღერა ჩემს სიდზე", „ჩემი სიდის სიმღერა" („El cantar de mio Cid"), შუა საუკუნეების ესპანური ლიტერატურის უდიდესი ძეგლი; არასრული ხელნაწერის სახით შემორჩენილი ეპიკური პოემა, რ-იც შექმნილი უნდა იყოს დაახლ. 1140 უცნობი სახ. მომღერლის — ხუგლარის მიერ. XIV ს-ში იგი პროზად შეივიდა „კასტილიის ოცი მეფის ქრონიკაში". ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ისტ. ფაქტები. მისი გმირი რაინდი როდრიგო დიას დე ბივარი (ისტ. პროტოტიპის ნამდვ. სახელია როდრიგო დიასი, შემოკლებით რუი დიასი), სიდად წოდებული (არაბ. საიდი — ბატონი), ისტ. პირია. პოემა უმთავრესად რეკონკისტას (მავრთაგან ესპ. განთავისუფლების) შესახებ დაწერილი თხზულებაა. შედგება 3 ნაწილისაგან. ესპ. მკვლევრები I ნაწილს უწოდებენ „განდევნის სიმღერას". რ-იც ასახავს სიდის საგმირო საქმეებს უცხო მხარეში; II ნაწილი — „ქორწილის სიმღერა" — მოგვითხრობს სიდის მიერ ვალენსიის აღებისა და ქალიშვილების გათხოვების ამბებს; III ნაწილია „კორპესის სიმღერა". პოემა შედგება 3735 ტაეპისაგან, დაწერილია არათანაბარმარცვლოვანი სილაბური ლექსით, ასონანსური რითმით. საუკუნეების მანძილზე იწერებოდა პოემის სხვადასხვა ვარიანტი: „როდრიგო", „როდრიგოს სიჭაბუკის წლები", „სიდის გარითმული ქრონიკა", „სიდის პოემა". „ს. ჩ. ს." მრავალი ესპ. და სხვა ევრ. ქვეყნის მწერლის შთაგონების წყაროდ იქცა.

სიმყიფე, მყარი სხეულის უნარი დაირღვეს მექანიკური ზემოქმედებისას შესამჩნევი პლასტიკური დეფორმაციის გარეშე (*პლასტიკურობის* საწინააღმდეგო თვისება). ს. დამოკიდებულია სხეულის სტრუქტურულ მდგომარეობასა და გამოცდის პირობებზე. ს. მატულობს დატვირთვის სიჩქარის გადიდებითა და ტემპ-რის დაწევით, ძაბვათა კონცენტრაციის ხარისხისა და დრეკადი ენერგიის მარაგის ამაღლებით. მასალის ს-ს, რ-იც შეიმჩნევა მხოლოდ დარტყმითი დატვირთვისას, უწოდებენ ამ მასალის დარტყმითს ს-ს. ისეთ ს-ს, რ-იც მჟღავნდება მხოლოდ დაბალ ტემპ-რებზე, ცივმტეხობას უწოდებენ.

სიმძიმის ცენტრი, მყარ სხეულთან უცვლელად დაკავშირებული გეომეტრიული წერტილი, რ-ზედაც გაივლის ამ სხეულის ნაწილაკებზე მოქმედი ყველა სიმძიმის ძალის ტოლქმედი სივრცეში სხეულის ნებისმიერი მდებარეობის დროს. იგი შეიძლება მოცემული სხეულის არც ერთ წერტილს არ დაემთხვეს (მაგ., რგოლისათვის). თუ თავისუფალ სხეულს დავკიდებთ ძაფზე, რ-საც მის სხვადასხვა წერტილში თანამიმდევრობით მივამაგრებთ, მაშინ ამ ძაფის ყველა მიმართულება გადაიკვეთება სხეულის ს. ც-ში. მყარი სხეულის ს. ც-ის მდებარეობა სიმძიმის ერთგვაროვან ველში თანხვდება მისი *ინერციის ცენტრის* მდებარეობას. თუ სხეულს დავყოფთ p_k წონის მქონე ნაწილებად, რ-ებისთვისაც ცნობილია ს. ც-ის x_k, y_k, z_k კოორდინატები, მაშინ შეგვიძლია მოვძებნოთ მთელი სხეულის ს. ც-ის კოორდინატები შემდეგი ფორმულებით: $x_c = \Sigma p_k x_k / \Sigma p_k$, $y_c = \Sigma p_k y_k / \Sigma p_k$, $z_c = \Sigma p_k z_k / \Sigma p_k$. სიმეტრიის ცენტრის მქონე ერთგვაროვანი სხეულის (მართკუთხა ან წრიული ფირფიტის, სფეროს, ცილინდრისა და სხვ.) ს. ც. მისი სიმეტრიის ცენტრშია მოთავსებული.

სიმძიმის ძალა, დედამიწის ზედაპირის მახლობლად მოთავსებულ ნებისმიერ მატერიალურ წერტილზე მოქმედი $\boldsymbol{P}$ ძალა, რ-საც განსაზღვრავენ როგორც დედამიწის გრავიტაციული $\boldsymbol{F}$ ძალისა და დედამიწის დღეღამური ბრუნვით განპირობებული ცენტრიდანული (გადატანითი) ინერციის $\boldsymbol{Q}$ ძალის გეომეტრიულ ჯამს (ნახ.). ანალოგიურად განსაზღვრავენ ს. ძ-ს სხვა ციურ სხეულზე. ს. ძ-ის მიმართულება დედამიწის ზედაპირის მოცემულ წერტილში წარმოადგენს ვერტიკალის მიმართულებას, ხოლო მისდამი პერპენდიკულარული სიბრტყე — ჰორიზ. სიბრტყეს. λ კუთხე განსაზღვრავს გეოცენტრულ, φ — კი ასტრონომიულ განედს. $Q = m\omega^2 h$ სიდიდე (სადაც m არის ნაწილაკის მასა, ω — დედამიწის ბრუნვის

კუთხური სიჩქარე, h—ნაწილაკის დაშორება დედამიწის ღერძიდან) ω^2 სიმცირის გამო ძალიან მცირეა F-თან შედარებით. ამიტომ ს. ძ. მცირედ განსხვავდება გრავიტაციული ძალისაგან. დედამიწის ზედაპირის გასწვრივ პოლუსიდან ეკვატორისაკენ გად. ადგილებისას ს. ძ-ის მნიშვნელობა Q ზრდისა და დედამიწის არასფერულობის გამო რამდენადმე მცირდება: ეკვატორზე ს. ძ. დაახლ. 0,5%-ით ნაკლებია, ვიდრე პოლუსზე. დიდი არ არის აგრეთვე სხვაობა φ და λ კუთხეებს შორის (უდიდესია 11′, როცა $\lambda = 45°$). ს. ძ-ის გავლენით ნაწ. ღებულობს $g=P/m$ აჩქარებას, რ-საც **სიმძიმის ძალის აჩქარებას** უწოდებენ. განედის მიხედვით იგი ისევე იცვლება, როგორც ს. ძ.

დედამიწის რადიუსთან შედარებით მცირე ზომების შქონე არეებში ს. ძ-ები ტოლი და პარალელურია და ქმნის ერთგვაროვან ძალურ (გრავიტაციულ) ველს. ს. ძ. არსებითად მოქმედებს თითქმის ყველა მოვლენასა და პროცესზე, რ-ებიც მიმდინარეობენ დედამიწაზე როგორც ბუნებაში, ისე ტექნიკაში (იხ. აგრეთვე *გრავიმეტრია*).

სიმძლავრე, ფიზიკური სიდიდე, რ-იც იზომება დროის ერთეულში შესრულებული მუშაობით. თუ მუშაობა თანაბრად სრულდება, მაშინ ს-ს განსაზღვრავენ $N=A/t$ ფორმულით, სადაც A არის t დროში შესრულებული მუშაობა. ზოგად შემთხვევაში $N=dA/dt$, სადაც dA არის dt ელემენტარული დროის შუალედში (ჩვეულებრივ 1 *წმ*-ში) შესრულებული ელემენტარული მუშაობა. *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) ს-ს ზომავენ *ვატებით* (*ვტ*); 1 *ვტ*=1 *ჯ/წმ*, ერთეულთა CGS სისტემაში კი — *ერგ/წმ*. ტექნიკაში იყენებენ აგრეთვე ს-ის სისტემის გარეშე ერთეულს — *ცხენის ძალას* (*ც. ძ.*).

სიმძლავრე ელექტრული, ფიზიკური სიდიდე, რ-იც ახასიათებს ელექტროენერგიის გადაცემის ან გარდაქმნის სიჩქარეს. *მუდმივი დენის* ელექტრულ წრედებში ს. $P=UI$, სადაც U ძაბვაა *ვ*-ით გამოსახული, I კი — დენის ძალა (*ა*). *ცვლადი დენის* შემთხვევაში ძაბვისა (u) და დენის ძალის (i) მყისი მნიშვნელობების ნამრავლი წარმოადგენს მყის ს-ს: $p=ui$, ე. ი. ს-ს დროის მოცემულ მომენტში (იგი ცვლადი სიდიდეა). მყისი ს-ის საშ. მნიშვნელობას T პერიოდის განმავლობაში უწოდებენ აქტიურ ს-ს: $P=\frac{1}{T}\int_0^T p(t)\,dt$. ერთფაზიანი *სინუსოიდური დენის* წრედებში $P = UI\cdot\cos\varphi$ (სამფაზიანი დენისათვის $P=\sqrt{3}\,UI\cos\varphi$), სადაც U და I ძაბვისა და დენის ძალის მოქმედი მნიშვნელობებია, φ კი — მათ შორის ფაზათა გადანაცვლების კუთხე. ს-ს, რ-იც ახასიათებს ენერგიის გადაცემის სიჩქარეს დენის წყაროდან მიმღებზე და უკან, უწოდებენ რეაქტიულ ს-ს: $Q=UI\cdot\sin\varphi$. სიდიდეს, რ-იც ტოლია წრედში გამავალი პერიოდული ელექტრული დენის ძალისა და ძაბვის მოქმედი მნიშვნელობების ნამრავლისა, ეწოდება **სრული ს.** იგი დაკავშირებულია აქტ. და რეაქტიულ ს-ებთან თანაფარდობით: $S^2=P^2+Q^2$. არასინუსოიდური დენის წრედებისათვის ს. ტოლია ცალკეული ჰარმონიკების შესაბამის საშ. სიმძლავრეთა ჯამისა. სამფაზიანი წრედებისათვის ს-ს განსაზღვრავენ როგორც ცალკეული ფაზების ს-თა ჯამს.

სიმძლავრე სიმრავლისა, *სიმრავლეთა თეორიის* ცნება, რ-იც „ელემენტთა რაოდენობის“ ცნებას განაზოგადებს ნებისმიერ სიმრავლეზე. ს. განისაზღვრება აბსტრაქციის მეთოდით. ორ სიმრავლეს ეწოდება ეკვივალენტური, თუ მათ შორის შეიძლება დავამყაროთ *ურთიერთცალსახა ასახვა*. ს-ს ხშირად *კარდინალურ რიცხვს* უწოდებენ. უმცირესი უსასრულო ს. აქვს ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეს და მას ეკვივალენტურ ე. წ. *თვლად სიმრავლეებს*. ცნება ს. შემოიღო სიმრავლეთა თეორიის დამფუძნებელმა გ. *კანტორმა* (1876).

სიმძლავრის დეფიციტი, ელექტრული სიმძლავრის ნაკლებობა ელექტრულსქემებში მისი გადაცემის შეზღუდვის გათვალისწინებით. აქტიური ს. დ. წარმოიქმნება მსხვილი გენერატორების, ტრანსფორმატორების ან ელექტროგადაცემის ხაზების ავარიული გამორთვის დროს. ამის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ ავტომ. სიხშირულ განტვირთვას და სარეზერვო სიმძლავრის ავტომ. ჩართვას. **რეაქტიული ს. დ.**-ის დროს სისტემის რომელიმე პუნქტში ეცემა ძაბვა, რაც იწვევს ავარიას. მისი აცილებისთვის იყენებენ სინქრონულ კომპენსატორებსა და კონდენსატორების ბატარეებს, აგრეთვე ძაბვის რეგულირების სხვა საშუალებებს. ენერგოსისტემაში ს. დ-ის ალბათობა მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მეტია აქტ. და რეაქტიულ სიმძლავრეთა რეზერვი.

სიმძლავრის კოეფიციენტი, კოსინუს φ ($\cos\varphi$), ცვლადი დენის საშუალო სიმძლავრის შეფარდება დენის ძაბვისა და ძალის მოქმედ მნიშვნელობათა ნამრავლთან. ს. კ-ის უდიდესი მნიშვნელობა ტოლია 1-ისა. სინუსოიდური ცვლადი დენის შემთხვევაში ს. კ. ტოლია დენის ძაბვისა და ძალის სინუსოიდებს შორის მდებარე ფაზათა გადანაცვლების კუთხის კოსინუსისა და განისაზღვრება წრედის პარამეტრებით: $\cos\varphi=r/z$, სადაც φ ფაზათა გადანაცვლების კუთხეა, r — წრედის აქტ. წინაღობა, z კი — წრედის სრული წინაღობა. იხ. აგრეთვე *სიმძლავრე ელექტრული*.

სინაგოგა (ბერძნ. synagōgē — კრება, კრებული, საკრებულო), იუდეველებში მორწმუნეთა თემი და სალოცავი სახლი. ს. წარმოიქმნა პალესტინაში (ძვ. წ. IV ს.), ეგვიპტეში (ძვ. წ. III ს.). იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და დიასპორის (პალესტინის ფარგლებს გარეთ ებრაული კოლონიები) გაფართოების შემდეგ ს. არსებობა ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ. ს-ში ასრულებენ ღვთისმსახურებას, კითხულობენ და კომენტარებს უკეთებენ *ბიბლიასა* და *თალმუდს*, მართავენ რიტუალურ ტრაპეზებს. შუა საუკუნეებში ვინც იუდეურ დოგმებს გადაუხვევდა, ს-იდან განკვეთდნენ (მაგ., ურიელ აკოსტა, სპინოზა). ს-ის არქიტ. კომპოზიცია და დეკორი ძირითადად მავრიტანულია.

სინაგური, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში, რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ყვირილის მარჯვ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., თედელეთი, ზემო ქარზმანი, ტბეთი, ქვემო ქარზმანი, ხახეთი, ჯალაბეთი). ზ. დ. 1150 *მ*, ჯავიდან 39 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 61 *კმ*. მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, საავადმყოფო.

სინათლე, 1. ვიწრო მნიშვნელობით იგივეა, რაც ხილული გამოსხივება, ე. ი. *ელექტრომაგნიტური ტალღები* იმ სიხშირეთა დიაპაზონში, რ-საც ადამიანის თვალი აღიქვამს ($7{,}5\cdot10^{14}$—$4{,}0\cdot10^{14}$ *ჰც*, რაც შეესაბამება ≈400-იდან 700 *ნმ*-მდე ტალღის სიგრძეს ვაკუუმში). ძალიან მაღალი ინტენსიურობის ს-ს თვალი აღიქვამს სიხშირეთა რამდენადმე ფართო დიაპაზონში. საშ. ადამიანის თვალის ს-დმი მგრძნობიარობის დამოკიდებულებას ს-ის სიხშირეზე (თვალის *სპექტრული მგრძნობიარობა*) ახასიათებენ *სპექტრული სინათლოვანი ეფექტურობის* ფუნქციით (ე. წ. თვალის ხილული ობის წირი). ეს ფუნქცია საფუძვლად უდევს ყველა შუქტექ. გაანგარიშებას. ს-ის ტალღების სიხშირეთა განსხვავება ზოგად შემთხვევაში ადამიანის მიერ აღიქმება როგორც განსხვავება ფერის მიხედვით.


2. ს. ფართო მნიშვნელობით არის ოპტიკური გამოსხივების სინონიმი, რ-იც გარდა ხილულისა, მოიცავს სპექტრის ულტრაიისფერი და ინფრაწითელი გამოსხივების არეებს (სიხშირეთა დიაპაზონი ≈ $3\cdot10^{11}$ — $3\cdot10^{17}$ *ჰც*, ტალღის სიგრძე ვაკუუმში 1 *მმ*-იდან 1 *ნმ*-მდე).

ს-თვის დამახასიათებელია ნივთიერებასთან ურთიერთქმედება, რაც ხასიათდება სხვადასხვა სიდიდით (*შთანთქმის მაჩვენებელი*, სინათლის არეკვლის, გაშვებისა და შთანთქმის კოეფიციენტები და სხვ.). სხეულის მიერ არეკვლილი გამოსხივების ნაკადის ფარდობას მასზე დაცემული გამოსხივების ნაკადთან არეკვლის კოეფიციენტს უწოდებენ, ხოლო სხეულის მიერ შთანთქმული სინათლის ნაკადის ფარდობას მასზე დაცემული გამოსხივების ნაკადთან—შთანთქმის კოეფიციენტს, ნივთიერებაში გასული გამოსხივების ნაკადის ფარდობას მის ზედაპირზე დაცემულ ნაკადთან კი—გარემოს გაშვების კოეფიციენტს (ენერგიის მუდმივობის კანონის შესაბამისად, არეკვლის, შთანთქმისა და გაშვების კოეფიციენტების ჯამი უდრის ერთს). იხ. აგრეთვე სტ. *სინათლის არეკვლა, სინათლის გაბნევა, სინათლის გარდატეხა, სინათლის დიფრაქცია, სინათლის ინტერფერენცია, კრისტალოოპტიკა* და სხვ.

„სინათლე“, ქართული ყოველდღიური პოპულარული გაზეთი ეროვნულ-პატრიოტული მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1910—11. რედ.-გამომცემელი ი. როსტომაშვილი. 1911-იდან გაზეთის მე-4 გვერდზე, როგორც დამოუკიდებელი გამოცემა იბეჭდებოდა კომერც. და ლიტ. გაზ. „განგაში“, რ-ის რედ.-გამომცემელი იყო ი. მჭედლიშვილი. „ს-ის“ გამოცემა რამდენჯერმე შეწყდა, ხოლო 1911 ოქტ. დაიხურა.

„სინათლე“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი, საქ. სსრ უსინათლოთა საზ-ბის ორგანო. გამოდის 1966-იდან ქართ. ენაზე. ჟურნალში მასალები დაბეჭდილია *ბრაილის შრიფტით*.

სინათლით მკურნალობა, ფოტოთერაპია (*ფოტო*... და *თერაპია*), ოპტიკური გამოსხივების (ინფრაწითელი, ხილული და ულტრაიისფერი) გამოყენება სამკურნალო მიზნით; *ფიზიოთერაპიის* ნაწილი. ს. მ-ის დროს იყენებენ მზის ბუნებრივ გამოსხივებას (იხ. *მზით მკურნალობა*). ადამიანის ორგანიზმზე სინათლის ენერგიის ზემოქმედება განისაზღვრება მისი ინტენსივობით (წყაროს სიძლიერით და დასასხივებელ ზედაპირამდე მანძილით), დასხივების ხანგრძლივობით და ელექტრომაგნ. სხივების ჩაღწევის სიღრმით, რაც სინათლის ტალღის სიგრძეზეა დამოკიდებული. ყველაზე დიდი სიღრმე აქვს ინფრაწითელ და ხილულ სხივებს, ყველაზე ნაკლები — ულტრაიისფერს. კანის სიწითლე — ერითემა— შეიძლება გამოვლინდეს დასხივებიდან (მაგ., ინფრაწითელი სხივებით) რამდენიმე წუთის შემდეგ, ულტრაიისფერი სხივებით დასხივებისას კი — ფარული პერიოდის (2—8 *სთ*) გავლის შემდეგ. კანის რეაქციის ხარისხი დამოკიდებულია მის მგრძნობელობაზე, ადამიანის ასაკზე, წლის დროზე და სხვ. ფაქტორებზე. 3—4 დღე-ღამის შემდეგ დასხივების ადგილზე კანი მუქდება. ს. მ-თვის იყენებენ კალორიული (სითბურ) და მალუმინესცენცირებელ სინათლის ხელოვნურ წყაროებს. კალორიული წყაროების (ვარვარის ნათურები, ინფრაწითელი და ხილული სხივების გამომსხივებელი ნათურები, საერთო და ადგილ. ელექტროსინათლის აბაზანები, მინის ნათურები და სხვ.) მიერ გამოსხივებული ენერგიის რაოდენობა და



სინათლის არეკვლა. სინათლის სარკული არეკვლა: N—ამრეკლი ზედაპირის (გაყოფის საზღვრის) ნორმალი, α—დაცემულ სხივსა და ნორმალს შორის კუთხე (დაცემის კუთხე); α′—კუთხე არეკვლილ სხივსა და ნორმალს შორის (არეკვლის კუთხე). α=α′, Ep,Rp, Es და Rs—კომპონენტები დაცემული და არეკვლილი ტალღების ელექტრული ველტორის იმ რხევების ამპლიტუდებისა, რომლებიც შესაბამისად მდებარეობენ დაცემის სიბრტყეში და მისდამი პერპენდიკულარულად. ისრებით ნაჩვენებია რხევის ამპლიტუდების არჩეული დადებითი მიმართულება.

შემადგენლობა დამოკიდებულია გამომსხივებელი სხეულის გახურების ხარისხზე. მალუმინესცენცირებელ წყაროებს განეკუთვნება ვერცხლისწყალ-კვარცის, ლუმინესცენციური ერითემული და რკალური ბაქტერიციდული ნათურები.

ულტრაიისფერ დასხივებას (ადგილობრივსა და საერთოს) იყენებენ ულტრაისფერი სხივების უკმარისობის დროს სხვადასხვა ინფექციის (მაგ., გრიპის) მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის გასაძლიერებლად, როგორც ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას სახსრების, პერიფერიული ნერვული (ნევრიტი, ნევრალგია, რადიკულიტი), კუნთოვანი (მიოზიტი), სუნთქვის (ბრონქიტი, პლევრიტი) სისტემების, კანისა და გინეკოლ. დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ტუბერკულოზის ზოგიერთი ფორმის, რაქიტის, მწვავე რესპირაციული დაავადებებისა და სხვ. დროს. ხილული და ინფრაწითელი სხივებით დასხივებას მიმართავენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ და განმწოვ საშუალებას ქვემწვავე და ქრონ პროცესების, ნევრალგიისა და კუნთების ტკივილის ღროს.

ს. მ. არ შეიძლება ტუბერკულოზის აქტიური ფორმის, ახალწარმონაქმნების, გულის უკმარისობის, II—III სტადიის ჰიპერტონიული დაავადების. ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციის, თირკმლების ფუნქციის უკმარისობის აგრეთვე სინათლით გამოწვეული დაავადებების შემთხვევებში.

სინათლის აბერაცია, იხ. *აბერაცია სინათლისა.*

სინათლის არეკვლა, მოვლენა, რ-იც იმაში მდგომარეობს, რომ ორი გარემოს გამყოფ საზღვარზე *სინათლის* ერთი გარემოდან დაცემისას ნივთიერებისა და სინათლის ურთიერთქმედება წარმოქმნის სინათლის ტალღას, რ-იც გამყოფი საზღვრიდან ერცელდება ,,უკან'', პირველ გარემოში (ამასთან, I გარემო მაინც უნდა იყოს გამჭვირვალე დაცემული და არეკვლილი გამოსხივებისათვის). არათვითმნათი სხეულები ხილული ხდებიან მათი ზედაპირიდან ს. ა-ის შედეგად. არეკვლილი სინათლის ინტენსიურობის სივრცული განაწილება განისაზღვრება ზედაპირის (გაყოფის საზღვრის) უსწორობის ზომების ფარდობით ღაცემული გამოსხივების λ ტალღის სიგრძესთან. თუ უსწორობები მცირეა λ-თან შედარებით, მაშინ ხდება **სწორი**, ანუ **სარკული** ს. ა. როდესაც უსწორობათა ზომები λ თანაზომადია ან აღემატება მას (ხორკლიანი ზედაპირი, მჭრქალი ზედაპირი) და უსწორობათა განლაგება უწესრიგოა, ს. ა. **დიფუზური** ია. შესაძლებელია აგრეთვე **შერეული** ს. ა., რ-ის დროსაც დაცემული გამოსხივების ნაწილი აირეკლება სარკულად, ხოლო ნაწილი — დიფუზურად.

თუკი ~λ-ს ტოლი ან მასზე მეტი ზომის უსწორობები კანონზომიერად (რეგულარულად) არის განლაგებული, არეკვლილი სინათლის განაწილებას განსაკუთრებული ხასიათი აქვს კერძოდ ისეთი, როგორიც შეინიშნება ღიფრაქციული მესრიდან ს ა-ის დროს ს ა მჭიდროდაა დაკავშირებული *სინათლის ვარდატეხისა* (ამრეკლი გარემოს სრული ან არასრული გამჭვირვალობის დროს) და *სინათლის შთანთქმის* (მისი არასრული გამჭვირვალობის ან გაუმჭვირობის დროს) მოვლენებთან.


სინათლის სარკული არეკვლისათვის დამახასიათებელია კავშირი დაცემული და არეკვლილი სხივების მდებარეობებს შორის: 1. არეკვლილი სხივი მდებარეობს სიბრტყეში, რ-იც გადის დაცემულ სხივსა და ამრეკლი ზედაპირის ნორმალზე; 2. α′ არეკვლის კუთხე უდრის α დაცემის კუთხეს (იხ. ნახ.). არეკვლილი სხივის ინტენსიურობა, რ-იც არეკვლის კოეფიციენტით ხასიათდება, დამოკიდებულია α-ზე და დაცემულ სხივთა კონის პოლარიზაციაზე (იხ *სინათლის პოლარიზაცია*), აგრეთვე მე-2 და 1-ლი გარემოს n_2 და n_1 *გარდატეხის მაჩვენებლების* თანაფარდობაზე. რაოდენობრივად ამ დამოკიდებულებას ამრეკლი გარემოსთვის— დიელექტრიკისათვის — გამოსახავს *ფრენელის ფორმულები*.

ე. წ. **ბრიუსტერის კუთხის** (იხ. *ბრიუსტერის კანონი*) ტოლი α კუთხეების დროს არეკვლილი სინათლე ხდება სრულად პოლარიზებული დაცემის სიბრტყის პერპენდიკულარულად.

ს. ა. ოპტიკურად ნაკლებად მკვრივი ($n_2<n_1$) გარემოს ზედაპირიდან, როცა $\sin\alpha\geqslant n_2/n_1$, წარმოადგენს *სრულ შინაგან არეკვლას*, რ-ის დროსაც დაცემული სხივთა კონის მთელი ენერგია 1-ლ გარემოს უბრუნდება.

სინათლის დიფუზური არეკვლა — მისი გაბნევა მე-2 გარემოს უსწორმასწორო ზედაპირის მიერ ყველა შესაძლო მიმართულებით. არეკვლილი გამოსხივების ნაკადის სივრცული განაწილება და მისი ინტენსიურობა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში და განისაზღვრება λ-სა და უსწორობათა ზომებს შორის არსებული თანაფარდობით, ზედაპირზე უსწორობების განაწილებით, განათების პირობებით, ამრეკლი გარემოს თვისებებით დიფუზურად არეკვლილი სინათლის სივრცული განაწილების ზღვრული შემთხვევა, რ-იც ბუნებაში მკაცრად არ სრულდება, აიწერება *ლამბერტის კანონით.*

ლიტ.: **Борн М., Вольф Э.,** Основы оптики, пер. с англ., 2 изд., М., 1973; **Ландсберг Г. С.,** Оптика, 5 изд., М., 1976 (Общий курс физики).



სინათლის არეკვლა. r_p და r_s არეკვლის კოეფიციენტების დამოკიდებულება დაცემის α კუთხეზე 1 წირები ეხება იმ შემთხვევას, როცა $n_2/n_1 = 1{,}52$, ხოლო 2 წირები—როცა $n_2/n_1=9$, α ზედა სკალა—როცა $n_2/n_1=1/1{,}52$ თუ $\alpha\leqslant\alpha_0=\arcsin n_2/n_1$ მაშინ r_p და r_s მიიღება წინა შემთხვევიდან $\alpha\leftrightarrow\beta$ (β გარდატეხის კუთხეა) და $n_2\leftrightarrow n_1$ გადასმების შედეგად (აბსცისა იცვლება $\alpha\to\arcsin[(n_2/n_1)\sin\alpha]$ კანონით)

სინათლის გაბნევა, სინათლის (ოპტიკური გამოსხივების) ნაკადის მახასიათებლების ცვლილება ნივთიერებასთან მისი ურთიერთქმედებისას ს. გ-ს ხშირად უწოდებენ მხოლოდ სინათლის გავრცელების მიმართულების ცვლილებას (განპირობებულს გარემოს სივრცული არაერთგვაროვნებით), რ-იც აღიქმება როგორც გარემოს არასაკუთარი ნათება.

ს. გ-ის თანამიმდევრული აღწერა შესაძლებელია ნივთიერებასთან გამოსხივების ურთიერთქმედების კვანტური თეორიის ფარგლებში, რაც ემყარება *კვანტურ ელექტროდინამიკას* და ნივთიერების აგებულების შესახებ კვანტურ წარმოდგენებს. ამ თეორიაში ს. გ-ის ცალკეულ აქტს განიხილავენ როგორც ნივთიერების ნაწილაკის მიერ ħω ენერგიის, ħk იმპულსისა (მოძრაობის რაოდენობისა) და μ პოლარიზაციის მქონე დაცემული ფოტონის შთანთქმას, რასაც მოჰყვება ħω′ ენერგიის, ħk′ იმპულსისა და μ′ პოლარიზაციის მქონე ფოტონის გამოსხივება; ħ არის პლანკის მუდმივა, ω და ω′— ფოტონთა სიხშირეები, k და k′ სიდიდეები — *ტალღური ვექტორები*. თუ გამოსხივებული ფოტონის ენერგია უდრის შთანთქმულისას (ω=ω′), ს. გ-ს **რელეისებურს** ან დრეკადს უწოდებენ. როცა ω≠ω′, ს. გ-ს თან ახლავს ენერგიის გადანაწილება გამოსხივებასა და ნივთიერებას შორის და მას არადრეკადს უწოდებენ.

ბევრ შემთხვევაში საკმარისია ს. გ-ის აღწერა გამოსხივების ტალღური თეორიის ფარგლებში. ამ თეორიის (რ-საც კლასიკურს უწოდებენ) თვალსაზრისით, დაცემული სინათლის ტალღა გარემოს ნაწილაკებში აღძრავს ელექტრული მუხტების („დენების'') იძულებით რხევებს, რ-ებიც მეორეული სინათლის ტალღების წყაროდ იქცევიან ამასთან, განმსაზღვრელ როლს ასრულებს სინათლის ინტერფერენცია დაცემულ და მეორეულ ტალღებს შორის.

ს. გ-ის მახასიათებელია *dσ* **გაბნევის დიფერენციალური განივკვეთი**, რ-იც განისაზღვრება როგორც *dΩ* სივრცითი კუთხის მცირე ელემენტში გაბნეული გამოსხივების ნაკადის ფარდობა დაცემული ნაკადის I_0 სიდიდესთან: $d\sigma=dI/I_0$. **გაბნევის სრული განივკვეთი** არის *dσ* ჯამი ყველა *dΩ*-თი (იზომება კვადრ. სანტიმეტრობით).

ს. გ-ს განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რაც ართულებს სხვადასხვა შემთხვევაში მის ერთიან და დეტალურ აღწერას. ამიტომ განიხილავენ გაიდეალებულ შემთხვევებს, რ-ებიც ასაწერი მოვლენის მეტ-ნაკლებად ადეკვატურია.

ს. გ. ცალკეული **ელექტრონით** დიდი სიზუსტით შეიძლება დრეკად პროცესად ჩაითვალოს მისი σ განივკვეთი არ არის დამოკიდებული სიხშირეზე (ე. წ. **ტომსონის** ს. გ.) და $\sigma=(8\pi/3)\,r^2_0=6{,}65\cdot10^{-25}\,სმ^2$ ($r_0=e^2/mc^2$ არის ე. წ. ელექტრონის კლასიკური რადიუსი, რ-იც ბევრად ნაკლებია სინათლის ტალღის სიგრძეზე, e და m—ელექტრონის მუხტი და მასა, c — სინათლის სიჩქარე). ს. გ. ელექტრონებით დიდ როლს ასრულებს მზისა და ვარსკვლავების გვირგვინში მიმდინარე მოვლენებში.

ატომებით ს. გ-ს ახასიათებს სიხშირეზე გაბნევის განივკვეთის მკვეთრი დამოკიდებულება (იხ. *რელეის კანონი*). ს. გ. ცალკეული ატომით შეინიშნება გაიშვიათებულ აირებში

მოლეკულებით ს. გ-ის შემთხვევაში რელეის (არაწანაცვლებულ) ხაზებთან ერთად წარმოიშობა არადრეკადი ს გ-ის ხაზები (წანაცვლებული სიხშირის მიხედვით). არადრეკად ს. გ-ს მოლეკულებით უწოდებენ *სინათლის კომბინაციურ გაბნევას*.

ს. გ. **მცირე ნაწილაკებით** განაპირობებს იმ მოვლენათა ფართო კლასს, რ-ებიც შეიძლება აიწეროს *სინათლის დიფრაქციის* თეორიის საფუძველზე, როცა ეს დიფრაქცია დიელექტრიკული ნაწილაკებით ხდება.

ს. გ-ს **დიდი ნაწილაკებით** განიხილავენ გეომ. ოპტ. კანონების საფუძველზე ინტერფერენციის გათვალისწინებით.

ს. გ. დიდი რაოდენობის ნაწილაკების შემცველი გარემოს მიერ არსებითად განსხვავდება ცალკეული ნაწილაკით გამოწვეული ს. გ-ან, რაც დაკავშირებულია სინათლის ინტერფერენციასთან, მრავალჯერად გაბნეასა (ერთი ნაწილაკით გაბნეული სინათლე კვლავ განიბნევა სხვა ნაწილაკით) და ნაწილაკების ურთიერთქმედებებთან.

უწყვეტ გარემოში ს. ბ-თვის აუცილებელია მისი ერთგვაროვნების დარღვევა, რ-ის დროსაც გარდატეხის მაჩვენებელი იცვლება წერტილიდან წერტილამდე. ოპტ. ერთგვაროვნების დარღვევას წარმოადგენს აგრეთვე სიმკვრივის, კონცენტრაციისა და სხვ. ფლუქტუაციები. სითბური ფლუქტუაციებით გამოწვეულ ს. ბ-ს მ ო ლ ე კ უ ლ ურ ს. ბ-ს უწოდებენ. იგი ცალკეული მოლეკულებით ს. ბ-ის მსგავსია.

ყველა ზემოთ ნათქვამი მართებულია მცირე ინტენსიურობის ს. ბ-ის შემთხვევისათვის. ძლიერი ინტენსიურობის ს. ბ-ს მრავალი თავისებურება ახასიათებს.

ს. ბ-ს იყენებენ მეცნ. და ტექ. მრავალ დარგში. მასზე დამყარებულია ნაწილაკთა ზომისა და ფორმის განსაზღვრის მეთოდები. იხ. *ნეფელომეტრია, ტურბიდიმეტრია.*

ლიტ.: Л а н д с б е р г Г. С., Оптика, 5 изд., М., 1976 (Общий курс физики).

სინათლის გარდატეხა, სინათლის (ოპტიკური გამოსხივების) გავრცელების მიმართულების ცვლილება ორი გარემოს გამყოფ ზედაპირზე მისი გავლისას. ერთგვაროვანი იზოტროპიული არაშთამნთქმელი (გამჭვირვალე) ორი გარემოს (რ-თა გარდატეხის მაჩვენებელია n_1 და n_2) ბრტყელ განფენილ გამყოფ ზედაპირზე ს. ბ-ს განსაზღვრავს ორი კანონზომიერება: გარდატეხილი სხივი მდებარეობს იმ სიბრტყეში, რ-იც გავლებულია დაცემულ სხივსა და ორი გარემოს გამყოფი ზედაპირისადმი გავლებულ ნორმალზე (პერპენდიკულარზე); α დაცემისა და β გარდატეხის (ნახ.) კუთხეები ერთმანეთთან დაკავშირებულია გარდატეხის სნელიუსის კანონით: $n_1\sin\alpha = n_2\sin\beta$.

ს. ბ-ს თან ახლავს *სინათლის არეკვლა.* ამასთან, გარდატეხილ და არეკვლილ სხივთა კონების ენერგიათა ჯამი (მათი რაოდენობრივი გამოსახვა გამომდინარეობს ფრენელის ფორმულებიდან) დაცემული კონის ენერგიის ტოლია. მათი ფარდობითი ინტენსიურობები დამოკიდებულია დაცემის კუთხეზე, n_1 და n_2 მნიშვნელობებსა და დაცემულ კონაში სინათლის პოლარიზაციაზე. ნ ო რ მ ა ლ ური დ ა ც ე მ ი ს ა ს გარდატეხილი და დაცემული სინათლის ტალღების სამ. ენერგიათა ფარდობა უდრის $4n_1n_2/(n_1+n_2)^2$; ჰაერიდან (დიდი სიზუსტით $n_1=1$) მინაში ($n_2=1{,}5$) სინათლის გავლის კერძო შემთხვევაში იგი შეადგენს 96%. თუ $n_2<n_1$ და დაცემის კუთხე $\alpha\geqslant\arcsin(n_2/n_1)$, ს. ბ. არ ხდება და გამყოფ საზღვარზე დაცემული სინათლის მთელ ენერგიას წაიღებს არეკვლილი ტალღა (*სრული შინაგანი არეკვლის* მოვლენა). ნებისმიერი α დროს (გარდა $\alpha=0$-ისა) ს. ბ. ხდება სინათლის პოლარიზაციის მდგომარეობის ცვლილებით [ყველაზე ძლიერად ე. წ. ბ რ ი უ ს ტ ე რ ი ს კ უ თ ხ ი ს $\alpha=\arctg(n_2/n_1)$ დროს, იხ. *ბრიუსტერის კანონი*], რასაც იყენებენ წრფივად პოლარიზებული სინათლის მისაღებად.

სინათლის დეპოლარიზაცია, *სინათლის პოლარიზაციის* ხარისხის შემცირება. ს. დ. შეინიშნება მაგ., მღვრიე გარემოში ან მჭრქალ ზედაპირზე სინათლის გაბნევისას.

სინათლის დისპერსია, ნივთიერების n *გარდატეხის მაჩვენებლის* (გმ) დამოკიდებულება სინათლის ν სიხშირეზე (λ ტალღის სიგრძეზე) ან სინათლის ტალღების *ფაზური სიჩქარის* დამოკიდებულება სიხშირეზე. ს. დ-ის შედეგია თეთრი სინათლის კონის დაშლა პრიზმაში გავლის დროს (იხ. *ოპტიკური სპექტრი*). ამ სპექტრის შესწავლამ ი. *ნიუტონი* (1672) ს. დ-ის აღმოჩენამდე მიიყვანა. იმ ნივთიერებებისათვის, რ-ებიც გამჭვირვალეა სპექტრის მოცემული უბნისათვის, n იზრდება ν გაზრდით (λ შემცირებით), რასაც შეესაბამება ჟერების განაწილება სპექტრში; n ასეთ დამოკიდებულებას λ-ზე ნ ო რ მ ა ლ ურ ს. დ-ს უწოდებენ. ნივთიერების შთანთქმის ზოლების მახლობლად n დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე საკმაოდ რთულია. მაგ., ციანინის საღებრის თხელი პრიზმისათვის (იხ. ნახ.) შთანთქმის არეში წითელი სხივები გარდატყდება იისფერზე ძლიერად, ყველაზე ნაკლებად გარდატყდება მწვანე, შემდეგ კ ი ლ ურჯი სხივები (ე. წ. ა ნ ო მ ა ლ ი უ რ ი ს. დ.). ყველა ნივთიერებას აქვს შთანთქმის თავისი ზოლები. გმ-ის საერთო სვლას განაპირობებს სპექტრის მიხედვით ამ ზოლების განაწილება.

ბ რ უ ნ ვ ი ი ნ დ ი ს პ ე რ ს ი ა — პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვისაჴ კუთხის ცვლილება λ ტალღის სიგრძეზე დამოკიდებულებით. გამჭვირვალე ნივთიერებაში ჴ კუთხე იზრდება λ შემცირებით. ამასთან, ზოგიერთი ნივთიერებისათვის მიახლოებით სრულდება ბიოს კანონი: $\varphi=K/\lambda^2$ (K მოცემული ნივთიერებისათვის მუდმივია). ასეთი ტიპის ბრუნვითს ს. დ-ს ნ ო რ მ ა ლ ურ ს უწოდებენ. სინათლის შთანთქმის არეში ბრუნვითი ს. დ-ის ხასიათი მნიშვნელოვნად რთულია. ამასთან, ჴ კუთხეს შეუძლია მიაღწიოს უზარმაზარ სიდიდეს (ა ნ ო მ ა ლ ი ურ ი ბრუნვითი დისპერსია).

სინათლის დიფრაქცია, მოვლენა, რ-იც შეინიშნება სინათლის გავრცელებისას გაუმჭვირი ან გამჭვირვალე საგნების მკვეთრი ნაპირების მახლობლად და ვიწრო ხვრელების შიგნით. ამ დროს ირღვევა სინათლის გავრცელების სწორხაზოვნება, ე. ი. ხდება *გეომეტრიული ოპტიკის* კანონებიდან გადახრა. ს. დ-ის შედეგად სინათლის წერტილოვანი წყაროთი გაუმჭვირი ეკრანის განათებისას ჩრდილის საზღვარზე, სადაც გეომ. ოპტ. კანონების თანახმად, ნახტომისებური გადასვლა უნდა მომხდარიყო ჩრდილიდან სინათლეზე, შეინიშნევა ნათელი და ბნელი დიფრაქციული ზოლები (იხ. ნახ.), რადგან დიფრაქცია დამახასიათებელია ყველა ტალღური მოძრაობისათვის, ამიტომ ს. დ-ის აღმოჩენა XVII ს-ში იტალ. ფიზიკოსისა და ასტრონომის ფ. გრიმალდის მიერ და მისი ახსნა XIX ს-ში ო. *ფრენელის* მიერ სინათლის ტალღური ბუნების ერთ-ერთი ძირითადი დადასტურება იყო. ს. დ-ის მიახლოებითი თეორია ეფუძნება *ჰიუგენს—ფრენელის პრინციპის* გამოყენებას. ს. დ-ის მარტივი შემთხვევის თვისებრივი განხილვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფრენელის ზონების აღწერა.


ს. დ. 2 სახისაა: 1. სფერული ტალღების დიფრაქცია, რ-ის დროსაც ხვრელის ზომები ფრენელის ზონების ზომების შესადარია, ე. ი. $b\sim\sqrt{z\lambda}$, სადაც b არის ხვრელის ზომა, z — დაკვირვების წერტილის დაშორება ეკრანიდან, λ — ტალღის სიგრძე (ფრენელის დიფრაქცია); 2. ს. დ. პარალელურ სხივებში. ამ შემთხვევაში ხვრელი ბევრად მცირეა ფრენელის ერთ ზონაზე, ე. ი. $b\ll\sqrt{z\lambda}$ (ფრაუნჰოფერის დიფრაქცია). ასეთი დიფრაქციის დროს სინათლის პარალელური კონა ხვრელზე დაცემისას განშლადი ხდება. მისი განშლადობის კუთხეა $\varphi\sim\lambda/b$ (დიფრაქციული განშლადობა).

დიდი პრაქტ. მნიშვნელობა აქვს ს. დ-ს ჭვრიტებზე. ს. დ. არსებით როლს ასრულებს მღვრიე გარემოში სინათლის გაბნევისას. მაგ., მტვერზე, ნისლის წვეთებზე და სხვ. ს. დ-ზე დამყარებულია *დიფრაქციული მეცრის* მქონე *სპექტრული ხელსაწყოების* მოქმედება.


სინათლის ენერგია, ერთ-ერთი ძირითადი სინათლის სიდიდე, რ-იც უდრის *სინათლის ნაკადის* ნამრავლს განათების ხანგრძლივობაზე. ს. ე-ის ერთეულია *ლუმენ-წამი* (*ლმ·წმ*).


სინათლის ერთეულები, სინათლის სიდიდეების — *სინათლის ძალის, განათებულობის, სიკაშკაშის, სინათლის ნაკადისა* და სხვ. ერთეულები. სინათლის ძალის ერთეულს ეწოდებენ *კანდელას* (კდ; ადრე — *სანთელი*). მისი აღწარმოება ხდება სინათლის ეტალონებით; *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) შედის როგორც ძირითადი ერთეული. SI-ის ს. ე. მოცემულია ცხრილში.

იყენებენ განათებულობისა და სიკაშკაშის სხვა ერთეულებსაც: 1. ფოტი $=10^4$ *ლქ*; 1 *ლუმენი* კვადრატულ ფუტზე (*ლმ/ფუტ*^{2} ან 1 ფუტ-სანთელი) $=10{,}764$




სინათლის დისპერსია. გარდატეხის (უწყვეტი წირი) და შთანთქმის (წყვეტილი წირი) მაჩვენებლების დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე (წმ-ით) ციანინის საღებრის თხელი პრიზმისათვის.





სინათლის დიფრაქცია. ნახ. 1. დიფრაქციული რგოლები: ა — გაუმჭვირ ეკრანზე მრგვალ ხვრელში სინათლის გავლისას; ბ—მრგვალი გაუმჭვირი ეკრანის ირგვლივ.




სინათლის დიფრაქცია. ნახ. 2. ფრაუნჰოფერის დიფრაქცია ჭვრიტებზე. მონოქრომატული სინათლის პარალელური სხივებით ჭვრიტის განათებისას ეკრანზე მიიღება ბნელი და ნათელი ზოლები, რომელთა ინტენსიურობა სწრაფად მცირდება. თუ სინათლე ეცემა ჭვრიტის სიბრტყის პერპენდიკულარულად, მაშინ ზოლები განლაგებულია სიმეტრიულად ცენტრალური ზოლის მიმართ, ხოლო განათებულობა ეკრანის გასწვრივ პერიოდულად იცვლება ჴ ცვლილებისას და ნულად იქცევა ისეთი ჴ კუთხეებისათვის, რომლებისთვისაც $\sin\varphi=m\lambda/b$ ($m=1,2,3,\ldots$) შუალედური მნიშვნელობებისათვის განათებულობა მაქს. მნიშვნელობებს აღწევს. მთავარი მაქსიმუმი მიიღება, როცა $m=0$. ამასთან, $\sin\varphi=0$, ე. ი. $\varphi=0$. შემდეგი მაქსიმუმები, რომლებიც სიდიდით გაცილებით ჩამორჩებიან მთავარს, შეესაბამებიან $\sin\varphi=$ $=1{,}43\lambda/b; 2{,}46\lambda/b; 3{,}47\lambda/b$ და ა. შ. პირობით განსაზღვრულ ჴ მნიშვნელობებს.

ჭვრიტის სიგანის შემცირებით ცენტრალური ნათელი ზოლი ფართოვდება, ხოლო ჭვრიტის მოცემული სიგანისათვის მინიმუმებისა და მაქსიმუმების მღებარეობა დამოკიდებულია λ-ზე, ე. ი. ზოლებს შორის მანძილი მით მეტია, რაც მეტია λ.


ძირითადი სინათლის ერთეულები: ინდექსი φ-თან მიუთითებს იმაზე, რომ Φ_φ მიეკუთვნება სინათლის სიდიდეების *სისტემას*, ენერგეტიკული Φ_e სიდიდეებისაგან (გამოსხივების ნაკადი) განსხვავებით. t არის დრო, $d\Omega$—ელემენტარული სივრცითი კუთხე, რომელშიც გამოსხივება ვრცელდება, dA—ზედაპირის ფართობის ელემენტი, Θ—კუთხე ზედაპირის ელემენტის ნორმალსა და გამოსხივების გავრცელების მიმართულებას შორის; X — ნებისმიერი სინათლის სიდიდე.

სიდიდე	აღნიშვნა	კავშირი სხვა სიდიდეებთან	ერთეული	
			დასახელება	აღნიშვნა
სინათლის ნაკადი	Φ_ν		ლუმენი	*ლმ*
სინათლის ენერგია	Q	$Q=\int\Phi_\nu\,dt$	ლუმენ-წამი	*ლმ·წმ*
სინათლის ძალა (წყაროსი რომელიმე მიმართულებით)	I	$I=d\Phi_\nu/d\Omega$	კანდელა	*კდ*
გამოსხივების სინათლოვანი ეფექტურობა	K	$K=\Phi_\nu/\Phi_e$	ლუმენი-ვატზე	*ლმ/ვტ*
სიკაშკაშე (მოცემულ წერტილში და მოცემული მიმართულებით)	L	$L=\dfrac{d^2\Phi_\nu}{dA\cos\Theta d\Omega}$	კანდელა კვ. მეტრზე (მოძვ. სახელწ. ნიტი)	*კდ/მ*^{2}
განათებულობა (ზედაპირის წერტილში)	E	$E=d\Phi_\nu/dA$	ლუქსი	*ლქ*
ნათობა (ზედაპირის წერტილში	M	$M=d\Phi_\nu/dA$	ლუმენი კვ. მეტრზე	*ლმ/მ*^{2}
ექსპოზიცია	H	$H=dQ/dA=\int Edt$	ლუქს-წამი	*ლქ·წმ*
დანათება	Θ	$\Theta=\int I\,dt$	კანდელა-წამი	*კდ·წმ*
სინათლის სიდიდის სპექტრული სიმკვრივე	X_λ	$X_\lambda=dX/d\lambda$		




სინათლის ინტერფერენცია. მცირე S ხაზოვანი ზომის მონოქრომატული სინათლის წყაროდან სინათლე ეცემა ორი ვიწრო ხვრელის მქონე ეკრანს. სივრცული კოჰერენტულობა, ე. ი. რხევათა კოჰერენტულობა დროის ერთსა და იმავე მომენტში ტალღის გავრცელების მიმართულებისადმი პერპენდიკულარული სიბრტყის სხვადასხვა წერტილში, განისაზღვრება პირობით: $S<\lambda R/l$, სადაც λ არის ტალღის სიგრძე, R—მანძილი წყაროდან ეკრანამდე, l—მანძილი ხვრელებს შორის. თუ l და x მანძილები ნაკლებია L მანძილზე, მაშინ მიახლოებით $\Delta=lx/L$. სინათლის მაქსიმუმები განლაგებულია 0 წერტილიდან $x=\pm m\lambda L/l$ (პირობიდან $\Delta=\pm m\lambda$), ხოლო მინიმუმები—$x=\pm(2m+1)\lambda L/(2l)$ მანძილებზე, სადაც $m=0,1,2,\ldots$ ხაზოვანი მანძილი ორ მეზობელ მაქსიმუმს (ან მინიმუმს) შორის უდრის $dx=\lambda L/l$, ხოლო კუთხური მანძილი—$d\alpha=dx/L=\lambda/l$. ამ ფორმულის საფუძველზე შესაძლებელია λ ექსპერიმენტულად განსაზღვრა, თუ გავზომავთ l, L და dx. თუ, მაგ., $l=0{,}5$ მმ, მაშინ $d\alpha=10^{-3}(dx=1$ მმ, $L=1$მ) და $\lambda=d\alpha\cdot l\sim5\cdot10^{-5}$სმ, ე. ი. სინათლის ტალღის სიგრძისათვის მიიღება ძალიან მცირე სიდიდე. მაგ., წითელი სინათლისათვის $d\alpha$ უფრო მეტია, ვიდრე მწვანე სინათლისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა ფერის სინათლე განსხვავდება ერთმანეთისაგან ტალღის სიგრძით. მაშასადამე, ორი კოჰერენტული სინათლის წყაროს ინტერფერენციის შედეგად მიიღება ინტერფერენციული სურათი, რომელიც წარმოადგენს ნათელი და ბნელი ზოლების მონაცვლეობას (თეთრი სინათლის შემთხვევაში ყველა ზოლი, გარდა ცენტრალურისა, შეფერილია).

ეს კლასიკური ცდა ჩაატარა ტ. იუნგმა 1802 და ამ ცდის შედეგად პირველად იქნა გაზომილი სინათლის ტალღის სიგრძე (ნახაზზე უწყვეტი წირით ნაჩვენებია I ინტენსიურობის დამოკიდებულება x-ზე, ხოლო წყვეტილით—ეკრანის განათებულობა ხვრელების მონაცვლეობით დაფარვისას).



ნახ. 1. სტოქსური ($\nu-\nu_1$; $\nu-\nu_2$; $\nu-\nu_3$ სიხშირეები) და ანტისტოქსური ($\nu+\nu_1$; $\nu+\nu_2$; $\nu+\nu_3$ სიხშირეები) ხაზების სქემები ν სიხშირის სინათლის კომბინაციური გაბნევის დროს.



ნახ. 2. სინათლის კომბინაციური გაბნევის დროს სტოქსური (ა) და ანტისტოქსური (ბ) გადასვლების სქემები. 0—ძირითადი დონე. $h\nu_i$—რხევითი დონე, $h\nu_e$—მოლეკულის შუალედური ელექტრონული დონე.

ლქ; 1 *სტილბი* $\doteq 10^4$ *კდ/მ*^{2}; 1 *ლამბერტი* $= 10^4/\pi$ *კდ/მ*^{2}; 1 *ფუტ-ლამბერტი* $= 3{,}426$ *კდ/მ*^{2}.

სინათლის ეტალონი, საზომი, რ-ის დანიშნულებაა სინათლის ერთეულების აღწარმოება, შენახვა და გადაცემა. სხვადასხვა დროს ს. ე-ად იყენებდნენ: სანთლის ან მოცემული მახასიათებლების (ალის ზომები, სათბობი და სხვ.) მქონე ლამპის ალს; პლატინის 1 *სმ*^{2} ზედაპირს გამყარების ტემპ-რის დროს; ელექტრულ *ვარვარის ნათურებს*, განასხვავებენ პირველადსა და მეორეულ ს. ე-ს. ერთეული სინათლის ძალის (1 *კანდელის*) პირველადი ს. ე. წარმოადგენს პლატინის გამყარების ტემპ-რის დროს მომუშავე სრულ გამოსხივარს, რ-საც აქვს *აბსოლუტურად შავი სხეულის* თვისებები. ასეთი ს. ე. დამუშავებულია აშშ-ში და მიღებულია საერთაშ. შეთანხმებით (1948). მისი სიკაშკაშე $6\cdot10^5$ *კდ/მ*^{2}. 1979 მიიღეს კანდელის ახ. განსაზღვრა. სინათლის ძალის, განათებულობისა და სინათლის ნაკადის მეორეული ს. ე-ები წარმოადგენენ სხვადასხვა მოწყობილობისა და ფერითი ტემპ-რის სინათლის საზომი ვარვარის ნათურების ჯგუფებს.

სინათლის ინტერფერენცია, სინათლის ტალღების შეკრება, როდესაც შეინიშნება სინათლის ინტენსიურობის თავისებური განაწილება (ინტერფერენციული სურათი) ერთიმეორის მონაცვლებული და ნათელი ზოლების სახით. ს. ი-ის მიზეზია ინტენსიურობათა შეკრების პრინციპის დარღვევა (იხ. *ინტერფერენცია* ტალღებისა). ს. ი-ის ზოგიერთი მოვლენა ჯერ კიდევ ი. *ნიუტონმა* შეამჩნია, მაგრამ მისი კორპუსკულური თეორიის საფუძველზე ამ მოვლენათა ახსნა შეუძლებელი იყო. ს. ი., როგორც ტიპობრივი ტალღური მოვლენა, სწორად ახსნეს XIX ს-ში ტ. *იუნგმა* და ო. *ფრენელმა*.

სტაციონარული ს. ი. აღიძვრება ზედებული ტალღების ფაზათა მუდმივი სხვაობის არსებობისას (იხ. *კოჰერენტულობა*) ან ფაზათა განსაზღვრული კორელაციის დროს. კოჰერენტულობის პირობა ზღუდავს წყაროს კუთხურ ზომებსა და გამოსხივების სპექტრის სიგანეს. კოჰერენტულობა აგრეთვე დამოკიდებულია შესაკრები სხივების Δ სვლათა სხვაობაზე. სინათლის ტალღის სიგრძეებით გამოსახულ კოჰერენტულობას ინტერფერენციის რიგს უწოდებენ. Δ ზრდასთან ერთად კოჰერენტულობა და მასთან ერთად ინტერფერენციული სურათის კონტრასტი მცირდება მით უფრო სწრაფად, რაც უფრო ფართოა სინათლის $\delta\lambda$ სპექტრი. მაქს. სვლათა სხვაობა, რ-ის დროსაც ინტერფერენციული სურათი ჯერ კიდევ ჩანს, $\delta\lambda^{-1}$ რიგისაა.

ს. ი. არის ორსხივიანი და მრავალსხივიანი. ს. ი-ის მოვლენებს მიეკუთვნება აგრეთვე სინათლის ცემა და ინტენსიურობის კორელაცია.

ს. ი-ს ფართოდ იყენებენ სპექტრული ანალიზის დროს, *რეფრაქტომეტრიაში*, მანძილებისა და კუთხეების გასაზომად, შუქფილტრების, სარკეების შესაქმნელად და სხვ.

ს. ი-ის საინტერესო შემთხვევაა პოლარიზებული სინათლის ინტერფერენცია, რ-საც ფართოდ იყენებენ კრისტალთოპტიკაში სტრუქტურისა და კრისტალოგრაფიული ღერძების მიმართულებათა დასადგენად, აგრეთვე მინერალოგიაში მინერალების განსასაზღვრავად და სხვ.

სინათლის კვანტი (გერმ. Quant < ლათ. quantum — რამდენი), ელექტრომაგნიტური გამოსხივების რაოდენობა (პორცია), რ-იც შეიძლება გამოასხივოს ან შთანთქას ატომმა ან სხვა კვანტურმა სისტემამ ერთჯერადი აქტის დროს; ელემენტარული ნაწილაკი, იგივეა, რაც ფოტონი.

სინათლის კომბინაციური გაბნევა, სინათლის გაბნევა ნივთიერების მიერ, რასაც თან ახლავს გაბნეული სინათლის სიხშირის მნიშვნელოვანი ცვლილება. თუ წყარო ასხივებს ხაზოვან სპექტრს, მაშინ ს. კ. გ-ისას გაბნეული სინათლის სპექტრში აღმოჩნდება დამატებითი ხაზები, რ-თა რიცხვი და მდებარეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ნივთიერების მოლეკულურ აღნაგობასთან. ს. კ. გ. აღმოაჩინეს ინდ. ფიზიკოსებმა ჩ. *რამანმა* და კ. კრიშნანმა (სითხეებში სინათლის გაბნევის გამოკვლევისას). საზღვარგარეთის ლიტ-რაში ს. კ. გ-ს ხშირად *რამანის ეფექტს* უწოდებენ. ს. კ. გ-ის დროს პირველადი სინათლის ნაკადის გარდაქმნას თან ახლავს გამბნევი მოლეკულების გადასვლა სხვა მერხევ და მბრუნავ დონეებზე (იხ. *მოლეკულური სპექტრები*). ამასთან, გაბნეულ სპექტრში ახ. ხაზების სიხშირეები წარმოადგენენ დაცემული სინათლის სიხშირეებისა და გამბნევი მოლეკულების მერხევი და ბრუნვითი გადასვლების სიხშირეების კომბინაციებს, აქედანაა სახელწ. „ს. კ. გ.“

ს. კ. გ. უფრო ხშირად დაკავშირებულია მოლეკულების რხევითი მდგომარეობის ცვლილებასთან. ს. კ. გ-ის ასეთი სპექტრი შედგება ν სიხშირის ამგზნები ხაზის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული თანამგზავრების სისტემისაგან (იხ. ნახ.). $\nu-\nu_i$ სიხშირის თითოეულ თანამგზავრს (წითელი ანუ სტოქსური თანამგზავრი) შეესაბამება $\nu+\nu_i$ სიხშირის თანამგზავრი (იისფერი ანუ ანტისტოქსური თანამგზავრი). აქ ν_i მოლეკულის ერთ-ერთი რხევის საკუთარი სიხშირეა.

მაშასადამე, ს. კ. გ-ის სიხშირეების გაზომვა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოლეკულების საკუთარი რხევების სიხშირეები; ანალოგიური კანონზომიერებები შეინიშნება ბრუნვითი სპექტრებისათვის.

ლიტ.: **Сушинский М. М.,** Комбинационное рассеяние света и строение вещества, М., 1981.

სინათლის კონუსი, იხ. სტ. *ფარდობითობის თეორია*.

სინათლის კულტურა მცენარეთა, მცენარეთა კულტივირების ხერხი ძირითადად დახურულ გრუნტში (სათბურებში, ორანჟერეაში, ფიტოტრონში და სხვ.) ხელოვნური განათების პირობებში. ს. კ-ს დიდი პრაქტ. გამოყენება აქვს (განსაკუთრებით შორეულ ჩრდ-ში) ბოსტნეული და დეკორ. მცენარეების ადრე მოყვანისათვის, მათი თესლის და ჩითილების მიღებისა და სელექციისათვის მთელი წლის მანძილზე. ს. კ-თვის გამოიყენება განათების სხვადასხვა წყარო. მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ს. კ-ში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სინათლის წყაროს სპექტრალურ მახასიათებლებსა და გამოსხივების ინტენსივობას. ფიზიოლოგიურად აქტ. რადიაციის დიაპაზონში (380—750 *ნმ*) გამოსხივების ინტენსივობა მცენარის სახეობის ან ჯიშის შესაბამისად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30—150 *ეგ/მ*^{2}-ს. სპექტრში არ უნდა იყოს ულტრაიისფერი სხივები და ა. შ. განათების საუკეთესო წყაროდ მიჩნეულია ქსენონისა და ჰალოგენური ნათურები, რ-თა გამოსხივების ხილული სპექტრი მზისას უახლოვდება. ს. კ. ფართოდ გამოიყენება აგრეთვე სამეცნ.-კვლ. მიზნებისათვის. ს. კ-ში ხდება ამა თუ იმ მცენარის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა სინათლის ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით. *გ. სანაძე.*

სინათლის მოდულაცია, ოპტიკური დიაპაზონის (ხილული სინათლე; ულტრაისფერი და ინფრაწითელი გამოსხივება) შესაბამისი ელექტრომაგნიტური გამოსხივების რხევების *მოდულაცია*. მოდულაციის დროს იცვლება ელექტრომაგნ. ტალღის ამპლიტუდა (მაშასადამე, ინტენსიურობაც), ფაზა, სიხშირე ან პოლარიზაცია. ყველა ამ შემთხვევაში იცვლება გამოსხივების დამახასიათებელ სიხშირეთა ერთობლიობა — მისი ჰარმონიული შედგენილობა. ს. მ. საშუალებას იძლევა სინათლის ნაკადი „დაიტვირთოს“ ინფორმაციით, რ-იც შეიძლება სინათლით იქნეს გადატანილი, შემდეგ კი — ამოკითხული და გამოყენებული. იმ ინფორმაციის რაოდენობა, რ-ის გადაცემა შეიძლება რომელიმე სახის ტალღების მოდულირების საშუალებით, მით უფრო მეტია, რაც მეტია ამ ტალღების სიხშირე. მოდულირებული ტალღების (მზიდი ტალღის) სიხშირის გაზრდით შესაძლებელია იმ სიგნალების სიხშირული ზოლის სიგანის გაზრდა, რ-ითაც ხდება ტალღის მოდულირება. ხილული სინათლის სიხშირე 10^{14}—10^{15} *ჰც*-ია, ხოლო ოპტ. გამოსხივების მთელი დიაპაზონი, რ-იც მოიცავს სიხშირეებს 10^{11}-იდან 10^{17} *ჰც*-მდე, მნიშვნელოვნად აღემატება ყველა იმ ტალღის სიხშირულ დიაპაზონებს, რ-თა გამოყენება ინფორმაციის გადასაცემად შეიძლება მოდულაციის საშუალებით. სწორედ ეს განაპირობებს ს. მ-ის მნიშვნელობასა და პერსპექტიულობას.

ს. მ. შეიძლება იყოს შინაგანი, როდესაც იგი ხორციელდება თვით გამოსხივების წყაროში, და გარეგანი, რ-იც ხორციელდება სპეც. ხელსაწყოების (მოდულატორების) მეშვეობით. პრაქტიკაში სიხშირულად, ფაზურად ან პოლარიზაციულად მოდულირებულ სინათლის ტალღებს ყოველთვის გარდაქმნიან ამა თუ იმ გზით ამპლიტუდურად მოდულირებულ ტალღებად.

სინათლის უმარტივესი მოდულატორებია მექან. სისტემები, რ-ებიც საშუალებას იძლევიან შეწყვეტილ იქნეს სინათლის ნაკადი დროის გარკვეულ ინტერვალებში. ასეთებია: ხვრელებიანი მბრუნავი დისკოები (ობტიურატორები), რასტრები, მერხევი ან მბრუნავი ხუფები, სარკეები, პრიზმები და ა. შ.

ს. მ-ს ფართოდ იყენებენ მეცნიერებაში, კერძოდ, იმ პროცესების შესწავლისას, რ-ებიც აღიგზნებიან ნივთიერებაში სინათლის ზემოქმედებით (ლუმინესცენცია, ფოტოგამტარობა, ფოტოქიმ. რეაქციები და სხვ.), აგრეთვე ოპტ. კავშირგაბმულობისა და ბგერის ჩამწერ სისტემებში, გამოთვლითს ტექნიკაში, ოპტოელექტრონიკაში, ფოტოტელეგრაფიასა და ტელეხედვაში.

ლიტ.: Мустель Е. Р., Парыгин В. Н., Методы модуляции и сканирования света, М., 1970.

სინათლის მოყვარული მცენარეები, ჰელიოფიტები, მცენარეები, რ-თა ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ძლიერი სინათლე. ასეთებია ველისა და მდელოს ზედა იარუსების ბალახები, უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს მცენარეები, ფოთოლმცივანი ტყის ადრეგაზაფხულის ბალახოვანი სახეობები, კლდის ლიქენები და ა. შ. კულტ. მცენარეთაგან სინათლის მოყვარულია ხორბალი, სიმინდი, ქერი, ჭვავი, პამიდორი, ლობიო, ბადრიჯანი და სხვ.

ს. მ. მ-ს აქვს შედარებით პატარა და სქელი ფოთლები, რ-ებშიც კარგადაა განვითარებული მესრისებური ქსოვილი (ბევრი ჰელიოფიტის ფოთოლში მესრისებური ქსოვილი განვითარებულია როგორც ზედა, ისე ქვედა მხარეზე); ზოგიერთი ჰელიოფიტის ფოთლები შებუსვილია, დაფარულია სქელი კუტიკულით და ცვილოვანი ნაფიფქით; ჰელიოფიტების ფოთლები მასის ერთეულზე გაცილებით ცოტა ქლოროფილს შეიცავენ. ს. მ. მ-თვის დამახასიათებელია ინტენს. ფოტოსინთეზი და სუნთქვა. *ჯ. ჩიკვაიძე.*

სინათლის ნაკადი, სინათლის სიდიდე, რ-ითაც ფასდება *გამოსხივების ნაკადი*, ე. ი. ოპტიკური გამოსხივების სიმძლავრე, თავის მიერვე გამოწვეული სინათლის შეგრძნების მიხედვით [უფრო ზუსტად თავისი მოქმედების მიხედვით სინათლის სელექციურ მიმღებზე, რ-ის *სპექტრულ მგრძნობიარობას* განსაზღვრავს გამოსხივების ფარდობითი *სპექტრული სინათლოვანი ეფექტურობის* $V(\lambda)$ ფუნქცია (სადაც λ სინათლის ტალღის სიგრძეა ვაკუუმში]. ს. ნ-ის ერთეულია *ლუმენი*. Φ_v ს. ნ. Φ_e გამოსხივების ნაკადთან დაკავშირებულია თანაფარდობით:


$$\Phi_v = K_m \int_0^\infty (d\Phi_e/d\lambda) V(\lambda) d\lambda,$$

სადაც K_m სპექტრული სინათლოვანი ეფექტურობის მაქს. მნიშვნელობაა, რ-იც $\approx 680 лм \cdot вт^{-1}$ (როცა ტალღის სიგრძე 555 *ნმ*-ია).

სინათლის პოლარიზაცია, სხვანათლის (ოპტიკური გამოსხივების) ერთ-ერთი ძირითადი თვისება, რ-იც იმაში მდგომარეობს, რომ სინათლის სხივის (სინათლის ტალღის გავრცელების მიმართულების) პერპენდიკულარულ სიბრტყეში სხვადასხვა მიმართულება არატოლფასოვანია. ს. პ-ის ცნება ოპტიკაში შემოიტანა ი. *ნიუტონმა* 1704—06, თუმცა ს. პ-ით განპირობებულ მოვლენებს უფრო ადრეც შეისწავლიდნენ (*ორმაგი სხივეთეხის* აღმოჩენა კრისტალებში, მისი თეორ. განხილვა კ. *ჰიუგენსის* მიერ 1678—90). თვით ტერმ. „ს. პ." შემოიღო ე. მალუსმა 1808. ს. პ-ს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს იკვლევდნენ ე. მალუსი, ჟ. ბ. *ბიო*, ო. *ფრენელი*, დ. *არაგო*, დ. *ბრიუსტერი* და სხვ.

სინათლის ტალღა (ისევე როგორც ნებისმიერი ელექტრომაგნ. ტალღა) განივი ტალღაა. მასში ელექტრული და მაგნ. ველების დაძაბულობათა $\boldsymbol{E}$ და $\boldsymbol{H}$ ვექტორები ტალღის გავრცელების პერპენდიკულარული მიმართულებით ირხევა.

$\boldsymbol{E}$ და $\boldsymbol{H}$ ვექტორები ტალღის მიერ დაკავებულ სივრცეში გამოყოფენ გარკვეულ მიმართულებას (აქედან გამომდინარეობს აღნიშნული არატოლფასოვნება), ვინაიდან $\boldsymbol{E}$ და $\boldsymbol{H}$ თითქმის ყოველთვის ურთიერთპერპენდიკულარული არიან, ს. პ-ის სრული აღწერისათვის საკმარისია ერთერთი მათგანის შესწავლა. ჩვეულებრივად ამ მიზნისათვის $\boldsymbol{E}$ ირჩევენ.



ცალკე აღებული ელემენტარული გამომსხივებლის (ატომი, მოლეკულა) მიერ ერთ აქტში გამოსხივებული სინათლის იმპულსი ყოველთვის სრულადაა პოლარიზებული. მაკროსკოპული სინათლის წყარო ძალიან დიდი რაოდენობით შეიცავს ასეთ გამომსხივებელ ნაწილაკებს. ცალკეული ნაწილაკის მიერ გამოსხივებული სინათლის იმპულსებში $\boldsymbol{E}$ უმეტესად ქაოსურადაა ორიენტირებული (ეს არ ეხება ლაზერს!), ამიტომ გამოსხივების წყაროების უმეტესობისათვის $\boldsymbol{E}$ მიმართულება არ არის განსაზღვრული. იგი ვანუწყვეტლივ და უწესრიგოდ იცვლება დროის ძალიან მცირე შუალედებში. ასეთ გამოსხივებას არაპოლარიზებულ ანუ ბუნებრივ სინათლეს უწოდებენ.

$\boldsymbol{E}$ ვექტორი, ნებისმიერი სხვა ვექტორის მსგავსად, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ორი ურთიერთპერპენდიკულარული მდგენლის ჯამის სახით. ბუნებრივ სინათლეში ამ მდგენლების რხევის ფაზათა სხვაობა განუწყვეტლივ და ქაოსურად იცვლება, სრული პოლარიზაციის დროს კი ეს ფაზათა სხვაობა მუდმივი სიდიდეა. სხივის გავრცელებისას მის სხვადასხვა წერტილში $\boldsymbol{E}$ სხვადასხვა სიდიდე და მიმართულება აქვს. მონოქრომატული სინათლის სრულ პოლარიზაციას ახასიათებენ $\boldsymbol{E}$ ვექტორის ბოლო წერტილის ტრაექტორიის გეგმილით სხივის პერპენდიკულარულ სიბრტყეზე (ნახ.). თუ გავითვალისწინებთ, რომ მონოქრომატული სინათლის ტალღაში $\boldsymbol{E}$ ვექტორის ურთიერთპერპენდიკულარული მდგენლები ერთნაირი სიხშირით ირხევიან, ხოლო სრული პოლარიზაციის დროს ფაზათა სხვაობა მუდმივია, ადვილი გასაგები გახდება, რომ უზოგადეს შემთხვევაში ამ გეგმილს უნდა ჰქონდეს ელიფსის ფორმა. ასეთ სინათლეს ელიფსურად პოლარიზებულს უწოდებენ. ელიფსური ს. პ-ის სრული აღწერისათვის აუცილებელია ვიცოდეთ $\boldsymbol{E}$ ვექტორის ბრუნვის მიმართულება ელიფსზე (მარცხ. ან მარჯვ.), ელიფსის ღერძთა ორიენტაცია და მისი ექსცენტრისიტეტი. განსაკუთრებით საინტერესოა ელიფსური პოლარიზაციის ზღვრული შემთხვევები: წრფივი პოლარიზაცია (ფაზათა სხვაობა უდრის $0, k\pi$; k მთელი რიცხვია), როდესაც ელიფსი გადაგვარებულია წრფედ ($\boldsymbol{E}$ ვექტორი სინათლის სხივზე გამავალ ერთ-ერთ სიბრტყეშია ყოველთვის) და წრიული ანუ ცირკულარული პოლარიზაცია [ფაზათა სხვაობა უდრის $\pm(2k+1)\ \pi/2$], როდესაც პოლარიზაციის ელიფსი წრეწირია. წრფივად ანუ ბრტყლად პოლარიზებული სინათლის მდგომარეობის ასაწერად საკმარისია მითითებულ იქნეს პოლარიზაციის სიბრტყე, ხოლო წრიულად პოლარიზებული სინათლის დროს — პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვის მიმართულება. ს. პ. შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

ახ. ტერმინოლოგიით $\boldsymbol{E}$ ელექტრულ ვექტორსა და სხივზე გამავალ სიბრტყეს პოლარიზაციის სიბრტყეს უწოდებენ. ადრე ამ სიბრტყეს რხევის სიბრტყეს უწოდებდნენ, ხოლო პოლარიზაციის სიბრტყეში იგულისხმებოდა $\boldsymbol{H}$ მაგნ. ვექტორსა და სხივზე გამავალი სიბრტყე (თუმცა ეს ტერმინები სამეცნ. ლიტ-რაში დღესაც ხშირად იხმარება). პოლარიზატორის (ან ანალიზატორის) პოლარიზაციის სიბრტყეს უწოდებენ პოლარიზატორის (ან ანალიზატორის) მიერ გატარებული სინათლის პოლარიზაციის სიბრტყეს (ადრინდ. ტერმინოლოგიით — რხევის სიბრტყეს). რთულ არაერთგვაროვან ტალღებში $\boldsymbol{E}$ და $\boldsymbol{H}$ ვექტორების მყისი მიმართულებები არაურთიერთპერპენდიკულარულია და ს. პ-ის სრული აღწერისათვის საჭიროა ვიცოდეთ როგორ იქცევა თითოეული ამ ვექტორთაგანი.

თუ $\boldsymbol{E}$ ვექტორის კომპონენტებს (პროექციებს) შორის ფაზური თანაფარდობა იცვლება გაცილებით ნაკლები დროის განმავლობაში, ვიდრე ს. პ-ის გაზომვის დროა, მაშინ აღარ შეიძლება ვილაპარაკოთ სრულ ს. პ-ზე. მაგრამ შეიძლება, რომ სინათლის კონის შემადგენელ მონოქრომატულ ტალღებში $\boldsymbol{E}$ იცვლებოდეს არა საერთო ქაოსურად, ხოლო მის ურთიერთპერპენდიკულარულ კომპონენტებს შორის არსებობდეს გარკვეული უპირატესი ფაზური წანაცვლება (ფაზური კორელაცია), რ-იც არ იცვლება საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში. ფიზიკურად ეს ნიშნავს იმას, რომ $\boldsymbol{E}$ ვექტორის ამპლიტუდის პროექცია ერთ-ერთ ურთიერთპერპენდიკულარულ მიმართულებაზე ყოველთვის მეტია, ვიდრე მეორეზე. ფაზური კორელაციის ხარისხი ასეთ — ნაწილობრივ პოლარიზებულ სინათლეში აიწერება p პარამეტრით, რ-საც ს. პ-ის ხარისხს უწოდებენ. მაგ., თუ ფაზური წანაცვლება ნულის ტოლია, სინათლე ნაწილობრივ პოლარიზებულია წრფივად, $\pm\pi/2$ დროს — ნაწილობრივ პოლარიზებულია წრეზე. ნაწილობრივ პოლარიზებული სინათლე შეიძლება განვიხილოთ როგორც მთლიანად პოლარიზებული და ბუნებრივი სინათლის „ნარევი". მათი თანაფარდობა შეიძლება დავახასიათოთ p პარამეტრით, რ-იც ხშირად განისაზღვრება როგორც $|I_1 - I_2|/(I_1 + I_2)$, სადაც ინდექსები 1 და 2 განეკუთვნება ორი ორთოგონალური პროექციის მქონე სინათლის I ინტენსიურობას. p იცვლება 0-იდან 100%-მდე და გამოსახავს ს. პ-ის მდგომარეობის ყველა რაოდენობრივ გრადაციას.

კვანტურ ოპტიკაში ელექტრომაგნ. გამოსხივებას განიხილავენ როგორც ფოტონების ნაკადს. ს. პ-ის მდგომარეობას კვანტური თეორიის თვალსაზრისით განსაზღვრავენ იმის მიხედვით, თუ როგორია ნაკადში ფოტონების მოძრაობის რაოდენობის მომენტი. მაგ., წრიული პოლარიზაციის (მარცხ. ან მარჯვ.) ფოტონების მომენტი უდრის $\pm\hbar$ ($\hbar$ პლანკის მუდმივაა). ს. პ-ის ნებისმიერი მდგომარეობა გამოისახება ორი ე. წ. ბაზისური მდგომარეობის საშუალებით — ნებისმიერი ორი ურთიერთპერპენდიკულარული წრფივი ს. პ-ით, მარცხ. და მარჯვ. წრიული ს. პ-ით, და ა. შ. ამავე დროს ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ბაზისურ მდგომარეობათა ერთი წყვილიდან მეორე წყვილზე გადასვლა.

ს. პ-ის გამოწვევა შეუძლია სხვადასხვა ფიზ. პროცესს (*სინათლის არეკვლას*, *სინათლის გარდატეხას* და სხვ.).

ს. პ-ის მოვლენას ფართოდ იყენებენ მეცნიერებასა და ტექნიკაში (იხ. *პოლარიმეტრია*, *საქარიმეტრია* და სხვ.). იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოცხალ ბუნებაშიც. გარკვეულ პირობებში ადამიანის თვალი მგრძნობიარე ხდება ს. პ-მი (ე. წ. *ჰაიდინგერის ეფექტი*).

ლიტ.: Ландсберг Г. С., Оптика, 5 изд., М., 1976 (Общий курс физики).

სინათლის რეფრაქცია, ფართო მნიშვნელობით იგივეა, რაც *სინათლის გარდატეხა*, ე. ი. სინათლის სხივების მიმართულების ცვლილება იმ გარემოს გარდატეხის მაჩვენებლის (გმ) ცვლილებისას, რ-შიც ეს სხივები გადიან. ისტ. ტრადიციის მიხედვით, ტერმ. „ს. რ"-ით ხშირად სარგებლობენ მაშინ, როცა ახასიათებენ ოპტ. გამოსხივების გავრცელებას ისეთ გარემოში, რ-შიც გმ მდოვრედ იცვლება წერტილიდან წერტილამდე (სინათლის სხივის პოლარიზაცია. სინათლის სხივის სხვადასხვა პოლარიზაციის მაგალითები ($\boldsymbol{E}$ ელექტრული ვექტორის ბოლოს ტრაექტორიები სხივის რომელიმე ერთ წერტილში) E_x და E_y ურთიერთპერპენდიკულარულ კომპონენტებს შორის სხვადასხვაგვარი ფაზათა სხვაობის დროს. ნახაზების სიბრტყე სინათლის გავრცელების მიმართულების პერპენდიკულარულია; ა და ე არის წრფივი პოლარიზაციები; გ—მარჯვენა წრიული პოლარიზაცია; ბ, დ, ვ—სხვადასხვა ორიენტაციის ელიფსური პოლარიზაციები. მოცემული ნახაზები შეესაბამება დადებით δ ფაზათა სხვაობას (ვერტიკალური რხევების წინსწრებას პორიზონტალურთან შედარებით). λ სინათლის ტალღის სიგრძეა. ფაზათა სხვაობა δ და სველათა სხვაობა Δ ა, ბ, გ, დ, ე, ვ ნახაზებზე შესაბამისად უდრის: 0°; 30°$=\pi/6$; 90°$=\pi/2$; 150°$=5\pi/6$; 180°$=\pi$; 210°$=7\pi/6$; $\Delta = \lambda\delta/2\pi = 0$; $\lambda/12$; $\lambda/4$; $5\lambda/12$; $\lambda/2$; $7\lambda/12$.

სინათლის რეფრაქცია ატმოსფეროში. ასტრონომიული რეფრაქციის დროს მნათობის სხივი დედამიწის ზედაპირის A წერტილში მოსვლამდე ატმოსფეროს მთელ სისქეს გაივლის. რადგან ჰაერის სიმკვრივე და სათანადოდ გარდატეხის მაჩვენებელი სხივის გზაზე იზრდება, სხივის ტრაექტორია მრუდწირულია, ამოზნექილობით z ზენიტისკენ, ამიტომ მისი AS' მზები Az-თან ნაკლებ კუთხეს ადგენს, ვიდრე მნათობის შეშმარიტი AS მიმართულება. მნათობის ნამდვილ z და ხილულ z' ზენიტურ მანძილთა შორის სხვაობას რეფრაქციის r კუთხეს ან მოკლედ რეფრაქციას უწოდებენ. ატმოსფეროს ტოლსიმკვრივიან ფენათა ბრტყელი მოდელის მიახლოებითი თეორია იძლევა ფორმულას:

$$r = 60{,}2'' \frac{B}{760} \frac{273}{273+t} \operatorname{tg} z,$$

სადაც B ატმ. წნევაა, (ვერცხლისწყლის სვეტის *მმ*-ებით), t—ჰაერის ტემპ-რა (°C). ეს ფორმულა შეიძლება გამოვიყენოთ $z < 70°$ შემთხვევაში. ზუსტი გამოთვლებისათვის საჭიროა რეფრაქციაზე წნევის, ტენიანობისა და ჰაერის ქვედა ფენების სხვა მეტეოროლოგიური ელემენტების გავლენის გათვალისწინება, რისთვისაც სპეც. ცხრილებით სარგებლობენ.

სინათლის სიჩქარე. სინათლის სიჩქარის განსაზღვრა „კბილა თვლის“ მეთოდით (ფიზოს მეთოდით). S წყაროდან გამოსული სინათლის კონა ნახევრად გამჭვირვალე C სარკიდან არეკვლის შემდეგ პერიოდულად წყდებოდა ცვალებადი ბრუნვის სიხშირის (n) მქონე კბილა W დისკოთი, გადიოდა ზუსტად გაზომილ CM=L მანძილს (ე. წ. ბაზისს), აირეკლებოდა M სარკიდან და უბრუნდებოდა კბილა დისკოს. როცა დისკო ნელა ბრუნავდა, M სარკიდან არეკლილი სინათლე ჩანდა T ოკულარში. n ზრდასთან ერთად სინათლე ქრებოდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ ჭრილის ადგილზე კბილაკი აღმოჩნდებოდა, ვინაიდან იმ Δt დროის განმავლობაში, რომელიც სჭირდებოდა სინათლეს M სარკემდე მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად, კბილა დისკო ასწრებდა მობრუნებას გარკვეულ კუთხეზე. n შემდგომი გაზრდისას სინათლე კვლავ გამოჩნდებოდა (სანამ სინათლე სარკემდე მიეიდოდა და უკან დაბრუნდებოდა, წინა ჭრილის ადგილზე დადგებოდა უკვე ახალი ჭრილი). Δt შეიძლება გაიზომოს, თუ განვსაზღვრავთ იმ n, რომლის დროსაც ხდება სინათლის პირველი გაქრობა. თუ N არის კბილაკთა რიცხვი, მაშინ $\Delta t=1/2nN$ (1) არის დროის შუალედი, რომლის განმავლობაში ჭრილი შეიცვლებოდა კბილაკით. ეს დრო უდრიდა იმ დროს, რომელიც სჭირდებოდა სინათლეს L ბაზისის ორივე მიმართულებით გასავლელად, ე. ი. ეს დრო $\Delta t=2L/c$ (2); იგულისხმება, რომ $v=c/n_0\approx c$. რადგანაც აჰერის აბსოლუტური გარდატეხის მაჩვენებელი $n_0\approx1$. (1)-იდან და (2)-იდან მიიღება, რომ $c=4nNL$ (3). ფიზოს ცდაში $n=12{,}6$ ბრ/წმ, $N=720$, $L=8{,}633$ კმ. ამ მონაცემების საფუძველზე ფიზომ მიიღო, რომ $c\approx313300$ კმ/წმ.

სინათლის სიჩქარის თანამედროვე გაზომვებისას იყენებენ მოდერნიზებულ ფიზოს მეთოდს, რომელშიც კბილა დისკოს ცვლიან რომელიმე სინათლის მოდულატორით (მაგ., კერის უჯრედით), რაც რამდენიმე მეტრამდე ამცირებს ბაზისს; ხოლო გამოსხივების მიზნებად იყენებენ ფოტოელემენტს ან ფოტოელექტრონულ მამრავლს.

ვების ტრაექტორია ასეთ გარემოში წირებია, რ-ებიც მდოვრედ მრუდდებიან), ხოლო ტერმ. „გარდატეხას“ ხშირად უწოდებენ სხივების მიმართულების მკვეთრ ცვლილებას ორი ერთგვაროვანი, მაგრამ სხვადასხვა გმ-ის მქონე გარემოს გამყოფ საზღვარზე. ოპტ. ბევრ დარგში ტრადიციულად იყენებენ ტერმ. „ს. რ-ს“. ასეთ დარგებს განეკუთვნება *ატმოსფერული ოპტიკა*, სათვალის ოპტიკა და სხვ.


სინათლის რეფრაქცია ა ტ მ ო ს ფ ე რ ო შ ი, ოპტიკური მოვლენა, რ-იც განპირობებულია სინათლის სხივების გარდატეხით ატმოსფეროში. მნათობის მიმართულების შეცვლა, სახელდობრ, ზენიტური მანძილის შემცირება (იხ. ნახ.), ზოგჯერ ფორმის დარღვევა (მზისა და სხვა ბადროიან მნათობთა შეკუმშვა ჰორიზონტთან ახლოს), ვარსკვლავთა ციმციმი, დედამიწის შორეულ საგანთა თრთოლა ცხელ დღეებში. ეს მოვლენები ცნობილი იყო უძველეს დროშიც. ს. რ-ის პირველი ცხრილები შეადგინა ტ. *ბრაჰემ* XVI ს-ში, თეორიის შექმნა სცადა ი. *კეპლერმა* 1604, მკაცრად კი ეს ამოცანა მხოლოდ ი. *ნიუტონმა* გადაწყვიტა.

ტალღის სიგრძეზე ს. რ-ის დამოკიდებულების გამო ჰორიზონტთან ახლოს, სადაც ს. რ. განსაკუთრებით საგრძნობია (ეტოლება დაახლ. ნახევარ გრადუსს), მზეს ფერადი არშია შემოეკვება ხოლმე, ხოლო ვარსკვლავები ვერტ. სპექტრად იშლება 40″-მდე სიგრძეზე. ჰაერის ტოლსიმკვრივიან ფენათა დახრა ჰორიზონტის მიმართ (სიმრუდე) კი აპირობებს ე. წ. გეერდით რეფრაქციას (საგანთა აზიმუტის ცვლა).

მთვარის სრული დაბნელებისას მთვარეს ანათებს მზის სხივები, რ-ებიც დედამიწის ატმოსფეროში ორმაგ რეფრაქციას განიცდიან. ს. რ. შეიმჩნევა სხვა პლანეტების ატმოსფეროებშიც ვარსკვლავთა დაფარვისას, მზის ბადროზე ვენერას გავლისას და სხვ. რეფრაქცია ახასიათებს რადიოტალღებსაც.

ლიტ.: Загребин Д. В., Введение в астрометрию, М.—Л., 1966.

სინათლის სიჩქარე თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ს ი ვ რ ც ე შ ი (ვ ა კ უ უ მ შ ი) c, ნებისმიერი ელექტრომაგნიტური ტალღის (მ. შ. სინათლის) გავრცელების სიჩქარე; ერთ-ერთი ძირითადი *ფიზიკური მუდმივი*, რ-ის უდიდესი მნიშვნელობა თანამედროვე ფიზიკაში იმით განისაზღვრება, რომ იგი არის ნებისმიერი ფიზ. ურთიერთქმედებათა (იხ. *ფარდობითობის თეორია*) გავრცელების ზღვრული სიჩქარე და ინვარიანტულია (ე. ი. არ იცვლება) ერთი ათვლის სისტემიდან მეორეში გადასვლისას. არც ერთი სიგნალი არ გადაეცემა c-ზე მეტი სიჩქარით, ხოლო c სიჩქარით მათი გადაცემა შეიძლება მხოლოდ ვაკუუმში. c სიდიდე აკავშირებს მატერ. სხეულის მასასა და მის ენერგიას. მისი მეშვეობით გამოისახება კოორდინატების, სიჩქარეებისა და დროის გარდაქმნები (*ლორენცის გარდაქმნები*) ერთი ინერციული სისტემიდან მეორეში გადასვლისას. იგი შედის მრავალ სხვა თანაფარდობაში. ს. ს. გ ა რ ე მ ო შ ი ი ჩვეულებრივ ნიშნავს ოპტიკური გამოსხივების (სინათლის) გავრცელების სიჩქარეს. იგი დამოკიდებულია გარემოს n გარდატეხის მაჩვენებელზე, რ-იც თავის მხრივ სხვადასხვაა ν სიხშირის სხვადასხვა გამოსხივებისათვის (*სინათლის დისპერსია*): $v(\nu)=c/n(\nu)$. ეს დამოკიდებულება იწ-



ვევს განსხვავებას სინათლის ჯგუფურსა და ფაზურ სიჩქარეებს შორის, თუ ლაპარაკია არა *მონოქრომატულ სინათლეზე* (ს. სთვის ვაკუუმში ეს ორი სიდიდე ერთმანეთს ემთხვევა).

ს. ს-ის სიდიდე თავიდან ასტრონ. დაკვირვებების საფუძველზე განსაზღვრეს. 1675 ო. *რემერმა* იუპიტერის თანამგზავრის იოს დაბნელებებს შორის დროის შუალედების ცვლილების მიხედვით განსაზღვრა ს. ს. 1728 ჯ. *ბრედლიმ* იგი განსაზღვრა სინათლის აბერაციაზე დაკვირვების საფუძველზე. ლაბორ. მეთოდით ს. ს. პირველად (1849) განსაზღვრა ი. *ფიზომ*. 1862 ჟ. ბ. *ფუკომ* განახორციელა დ. *არაგოს* მიერ შემოთავაზებული (1838) ს. ს-ის გაზომვის მეთოდი. ფუკოს მეთოდი გააუმჯობესა ა. *მაიკელსონმა* (1879, 1902, 1926). მის მიერ 1926 მიღებული ს. ს-ის მნიშვნელობა $c=(299796\pm4)$ *კმ/წმ* იმ დროისათვის ჟველაზე ზუსტი იყო და შეიტანეს ფიზ. სიდიდეთა ინტერნაც. ცხრილებში.

ს. ს-ის გაზომვამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ფიზ. განვითარებაში. მის ზუსტ რიცხვით სიდიდეს დიდი თეორ. (სხვა ფიზ. სიდიდეთა მნიშვნელობის დადგენა და სხვ.) და პრაქტ. (მანძილთა გაზომვა და სხვ.) მნიშვნელობა აქვს. მეცნიერებისა და ტექნიკისათვის რიცხვითი მონაცემების საერთაშ. კომიტეტის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით (1973) ვაკუუმში ს. ს-ის სიდიდედ მიღებულია მნიშვნელობა, რ-იც უდრის (299792458 $\pm$ 1,2) *მ/წმ*.

ლიტ.: Тейлор Б. Н., Паркер В., Лангенберг Д., Фундаментальные константы и квантовая электродинамика, пер. с англ., М., 1972.

სინათლის შთანთქმა, სინათლის (ოპტიკური გამოსხივების) ინტენსიურობის შემცირება მატერიალურ გარემოში გავლის დროს გარემოსთან მისი ურთიერთქმედების შედეგად. ს. შ-ის დროს სინათლის ენერგია გარდაიქმნება გარემოს ამა თუ იმ ფორმის შინაგან ენერგიად. ეს ენერგია მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება კვლავ იქნეს გამოსხივებული გარემოს მიერ შთანთქმული გამოსხივების სიხშირისაგან განსხვავებულ სიხშირეებზე.

ს. შ. აიწერება პ. ბუგერის კანონით: $I=I_0\exp(-\varkappa_\lambda l)$ რ-იც გამოსახავს კავშირს l სისქის გარემოში გავლილი სინათლის I ინტენსიურობასა და დაცემული I_0 სინათლის ინტენსიურობას შორის. $\varkappa_\lambda$ კოეფიციენტს, რ-იც არ არის დამოკიდებული I, I_0 და l სიდიდეებზე, ეწოდება შთანთქმის მაჩვენებელი (შმ; სპექტროსკოპიაში — შთანთქმის კოეფიციენტი). როგორც წესი, $\varkappa_\lambda$ სხვადასხვაა სხვადასხვა ტალღის სიგრძის (λ) სინათლისათვის. ეს კანონი ექსპერიმენტულად დაადგინა 1729 პ. *ბუგერმა*. 1760 ი. *ლამბერტმა* იგი გამოიყვანა თეორიულად იმ მარტივი მოსაზრებიდან, რომ ნივთიერების შრის გავლისას სინათლის ნაკადის I მცირდება იმ ნაწილით, რ-იც დამოკიდებულია მხოლოდ შმ-სა და შრის სისქეზე, ე. ი. $dI/I=-\varkappa\lambda dl$. ამ განტოლების ამოხსნაა ბუგერის კანონი, რ-ის ფიზ. არსი მდგომარეობს იმაში, რომ შმ არ არის დამოკიდებული I და l სიდიდეებზე (ექსპერიმენტულად შეამოწმა ს. *ვავილოვმა* I ცვლილებისას $\sim10^{20}$-ჯერ).

$\varkappa_\lambda$-ს დამოკიდებულებას λ-ზე ეწოდება ნივთიერების შ თ ა ნ თ ქ მ ი ს ს პ ე ქ ტ რ ი.

ჯერ კიდევ ბუგერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ს. შ-თვის მნიშვნელოვანია „არა სისქე, არამედ ამ სისქეში შემავალ ნივთიერებათა მასები“. მოგვიანებით (1852) გერმ. მეცნიერმა ა. ბერმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა ეს და აჩვენა, რომ აირის ან პრაქტიკულად არაშთამნთქმელ გამხსნელში გახსნილი ნივთიერების მოლეკულებით ს. შ-ისას შმ მოცულობის ერთეულზე (და, მაშასადამე, სინათლის ტალღის გზის სიგრძის ერთეულზე) შთანთქმული მოლეკულების რიცხვის, ე. ი. კონცენტრაციის პროპორციულია: $k_\lambda=\varkappa_\lambda C$ (ბერის წესი). ამრიგად, ს. შ-ის კანონმა *ბუგერ—ლამბერტ—ბერის კანონის* სახე მიიღო: $I=I_0\exp(-\varkappa_\lambda Cl)$, სადაც $\varkappa_\lambda$ არ არის დამოკიდებული კონცენტრაციაზე და ახასიათებს შთამნთქმელი ნივთიერების მ ო ლ ე კ უ ლ ას.

ზემოთ ნათქვამი მართებულია შედარებით მცირე, $k_\lambda l$ ტოლი, ოპტ. სისქის გარემოსათვის (როცა სინათლის გაბნევას უგულებელვყოფთ). თუ $k_\lambda l$ საკმაოდ დიდია, გარემო მასში მოხვედრილ გამოსხივებას შთანთქავს როგორც *აბსოლუტურად შავი სხეული*.

გამტარ გარემოში (ლითონებში, პლაზმაში და სხვ.) სინათლის ენერგია გადაეცემა არა მარტო ბმულ ელექტრონებს, არამედ (და ხშირად უმეტესადაც) თავისუფალ ელექტრონებსაც. k_λ ასეთ გარემოში ძლიერ არის დამოკიდებული მის ელექტროგამტარობაზე.

კვანტური თეორიის თანახმად, ს. შ-ის დროს შთამნთქმელ ატომებში, იონებსა და მოლეკულებში ან მყარ სხეულებში ელექტრონები უფრო დაბალი ენერგიის დონეებიდან გადადიან უფრო მაღალზე. შექცეული გადასვლა ძირითად მდგომარეობაში ან „უდაბლეს“ აგზნებულ მდგომარეობაში შესაძლებელია ფოტონის გამოსხივებით ან გამოუსხივებლად. ან კომბინირებულად.

მეტისმეტად დიდი ინტენსიურობის სინათლის ნაკადებში ს. შ. სხვადასხვა გარემოთი ალარ აიწერება ბუგერის კანონით—k_λ უკვე λ-ზე დამოკიდებული ხდება.

ს. შ-ს დიდი გამოყენება აქვს მეცნ. და ტექ. მრავალ დარგში.

ლიტ.: Борн Н., Вольф Э., Основы оптики, пер. с англ., 2 изд., М., 1973; Ландсберг Г. С., Оптика, 5 изд., М., 1976 (Общий курс физики).

სინათლის ძალა, ერთ-ერთი ძირითადი სინათლის სიდიდე, რ-იც ახასიათებს ხილული გამოსხივების წყაროს. ზოგად შემთხვევაში ს. ძ. წყაროდან სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვაა. იგი ტოლია ელემენტარული, ე. ი. ძალიან მცირე, სივრცითი კუთხის (რ-იც მოიცავს მოცემულ მიმართულებას) შიგნით წყაროდან გავრცელებული სინათლის ნაკადის ფარდობისა ამ სივრცითის კუთხესთან. *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) ს. ძ-ის ერთეულია *კანდელა* (*კდ*).

ს. ძ-ის ცნებას იყენებენ მხოლოდ წყაროდან ისეთ მანძილებზე, რ-ებიც ბევრად აღემატებიან მის ზომებს.

სინათლის წელიწადი, მანძილი, რ-საც გადის სინათლე ვაკუუმში 1 *ტროპიკული წელიწადის* განმავლობაში; იხმარება მანძილის ერთეულად ასტრონომიულ, უპირატესად პოპულარულ ლიტ-რაში. ქართ. აღნიშვნაა *სინ. წ.* 1 *სინ. წ.*=63240 ა. ე. =0,3069 *პს*=9,463 · 10^{12} *კმ*.

სინათლის წნევა, წნევა, რ-საც წარმოქმნის სინათლე ამრეკლ ან შთამნთქმელ სხეულებზე, აგრეთვე ცალკეულ მოლეკულასა და ატომზე. ჰიპოთეზა ს. წ-ის შესახებ პირველად გამოთქვა ი. *კეპლერმა* მზის მახლობლად ჩაფრენილ კომეტათა კუდების გადახრის ასახსნელად; ჯ. *მაქსველმა*, ელექტრომაგნ. თეორიიდან გამომდინარე, იწინასწარმეტყველა (1873) ს. წ-ის სიდიდე, ხოლო პირველად ექსპერიმენტულად გაზომა პ. *ლებედევმა* (1899). ს. წ. მაშინაც კი, როცა ძალზე ძლიერია სინათლის წყარო, იმდენად მცირეა, რომ მისი ექსპერიმენტულად აღმოჩენა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული კონვექციური ნაკადების, რადიომეტრული ძალებისა და სხვა ხელშემშლელი ფაქტორების გამო.

ს. წ-ის გასაზომად ლებედევმა შექმნა სპეც., ზემგრძნობიარე ხელსაწყო (იხ. ნახ.).

სინათლის ელექტრომაგნ. თეორიის თანახმად, წნევა, რ-საც აწარმოებს ზედაპირისადმი პერპენდიკულარულად დაცემული ბრტყელი ელექტრომაგნ. ტალღა, უდრის ელექტრომაგნ. ენერგიის სიმკვრივეს ამ ზედაპირთან. ეს ენერგია უდრის სხეულზე დაცემული და მისგან არეკვლილი ტალღების ენერგიათა ჯამს.

ს. წ. გამოითვლება ფორმულით: $p=S(1+R)/c$; S არის ზედაპირის ფართობის ერთეულზე დაცემული სინათლის სიმძლავრე, R — ზედაპირიდან სინათლის არეკვლის კოეფიციენტი, ხოლო c — სინათლის გავრცელების სიჩქარე.

სისტემაზე წნევას წარმოქმნის არა მარტო მასზე დაცემული სინათლის ნაკადი, არამედ ნებისმიერი ელექტრომაგნ. გამოსხივებაც.

ს. წ-ის არსებობა გვიჩვენებს, რომ გამოსხივების ნაკადს აქვს არა მარტო ენერგია (და, მაშასადამე, მასაც), არამედ იმპულსიც. კვანტური თეორიის თანახმად, ს. წ. სინათლის შთანთქმის ან არეკვლის პროცესებში სხეულებისადმი *ფოტონების* ენერგიის გადაცემის შედეგია. კვანტური თეორია ს. წ-თვის იმავე ფორმულებს გვაძლევს.

ს. წ. იწვევს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის (განსაკუთრებით კი დიდი ამრეკლი ზედაპირის მქონე მსუბუქი თანამგზავრის) ორბიტის შეშფოთებას.

ს. წ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასტრ. და ატომურ პროცესებში.

ლიტ.: Ландсберг Г. С., Оптика, 5 изд., М., 1976 (Общий курс физики); Лебедев П. И., Избр. соч., М.—Л., 1949.

სინათლის წყაროები, სპექტრის ოპტიკურ (ე. ი. ხილვად, ულტრაიისფერ და ინფრაწითელ) არეში ელექტრომაგნიტური ენერგიის გამომსხივარები. ბუნებრივი ს. წ-ია მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ატმ. ელექტრული გაწმუხტვები და სხვ., ხელოვნური — ნებისმიერი სახის ენერგიის ოპტ. გამოსხივების ენერგიად გარდამქმნელი მოწყობილობები. განასხვავებენ თბურ ს. წ-ს (სინათლე წარმოიქმნება სხეულების მაღალ ტემპ-რაზე გახურებისას) და ლუმინესცენციურ ს. წ-ს (სინათლე წარმოიქმნება მაშინ, როცა რომელიმე სახის ენერგია უშუალოდ გარდაიქმნება ოპტ. გამოსხივებად, მიუხედავად გამომსხივარი სხეულის თბური მდგომარეობისა). ხელოვნური ს. წ. გამოყენებული ენერგიის სახეობის მიხედვით შეიძლება იყოს ქიმ., ელექტრული, რადიოაქტ. და სხვ., დანიშნულების მიხედვით — განათებისა, სასიგნალო და ა. შ.

პირველი ხელოვნური ს. წ. (კოცონი, კვარი, წირაღდანი) გამოჩნდა ჯერ კიდევ ადრინდ. ისტ. ეპოქაში. XIX ს. ბოლომდე უმთავრესად იყენებდნენ თბურ ს. წ-ს (სანთელი, ზეთისა და ნავთის ლამპები და სხვ.), შემდეგ კი — ელექტრულ ს. წ-ს (*იაბლოჩკოვის სანთელი* და ა. შ.). XX ს-ში ფართოდ გავრცელდა *ვარვარის ნათურა, აირგანმუხტვის სინათლის წყაროები, ელექტრონულ-სხივური მილაკი, აირმნათი ნათურა, ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქმნელი* და სხვ. ს. წ-ის სრულიად ახ. სახეობაა *ლაზერი.*

სინალარი, სამკურნალო საშუალება *ჰორმონული პრეპარატების* ჯგუფისა მალამოს სახით იყენებენ კანის ზოგიერთი ანთებითი და ალერგიული დაავადების, ქავილის, ეგზემის, ფსორიაზის და სხვ. დროს.

სინამაქის ფოთოლი, *კასიას* გვარის ზოგიერთი სახეობის (Cassia acutifolia, C. angustifolia, C. obovata და სხვ.) ფოთოლაკები, რ-საც ხმარობენ მედიცინაში.


სინამდვილე, რეალობა, რ-იც ობიექტურად, თავისთავად, დამოუკიდებლად არსებობს. ობიექტური იდეალიზმის თანახმად, ს. ობიექტურად არსებული იდეალურია. პლატონი იდეათა სამყაროს ჭეშმარიტად არსებულ, ხოლო სხეულებრივ სამყაროს მის აჩრდილად, ანარეკლად მიიჩნევდა. ჰეგელის აზრით, ერთადერთი არსებულია აბსოლ. იდეა, ხოლო ყველა დანარჩენი (ბუნება, სზ-ბა) მისი გამოვლენის ფორმებია. სუბიექტური იდეალიზმი ს-დ მიიჩნევს იმას, რაც პრინციპულად მოაზრებულია ადამიანური ცნობიერების მიერ. პოზიტივიზმი კი ნამდვილ არსებობას მიაწერს პრინციპულად ცდაში მოცემულს. მარქსამდელმა მატერიალიზმმა ს. გაიგო როგორც ბუნება, რ-იც სივრცესა და დროში კონკრ. სხეულების ფორმით არსებობს. დიალექტ. მატერიალიზმის მიხედვით, ს. ობიექტური რეალობაა, რ-იც ბუნებრივი და სზ-ბრივი სისტემების სახით არსებობს. ამ შემთხვევაში ს. გაიგივებულია მატერიასთან და უპირისპირდება ცნობიერებას. მაგრამ მარქსისტულ ფილოსოფიაში ს-ის ცნებას იყენებენ ფართო მნიშვნელობითაც. იგი აღნიშნავს მთელ სამყაროს, ობიექტურ და სუბიექტურ რეალობას. აქ იგი მოიცავს მატერიას მთელი თავისი პროდუქტებითა და შედეგებით, ე. ი. ცნობიერებითაც. ს. უპირისპირდება შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში იგი განიხილება როგორც შესაძლებლობის რეალიზაცია, განხორციელება. უპირისპირდება აგრეთვე გამოგონილს, ფანტასტიკურს. აქ იგი, შეთხზულის საპირისპიროდ, ფაქტობრივად არსებულია. ს. შეიძლება დავუპირისპიროთ აგრეთვე მოჩვენებითს. ამ შემთხვევაში იგი არის არა აღქმის ილუზია, არამედ რეალურად არსებული.

ე. ერქომაიშვილი.

სინანთროპი (გვიანდ. ლათ. Sina — ჩინეთი და ბერძნ. anthrōpos — ადამიანი), უძველესი ადამიანების (არქანთროპების) სახეობა. 1927 პეკინის მახლობლად ო. ზდანსკიმ აღმოაჩინა ს-ის 3 კბილი, რის საფუძველზეც იწყო. მეცნ. დ. ბლეკმა გამოყო ახ. გვარი და სახეობა Sinanthropus pekinensis (ამჟამად აკუთვნებენ გვარს Homo). 1929 ჩინ. მეცნ. პეი ვენჟუნმა აღმოაჩინა ქალა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მანვე მიაკვლია ქვის იარაღებს. იქვე აღმოჩნდა ნაცრის სქელი ფენა. ს. ათნახევრად უფრო მაღალგანვითარებული არსებაა, ვიდრე *პითეკანთროპი.* ს. ორ ფეხზე დადიოდა, ტანი ვერტიკალურად ეჭირა, ქალას მოცულობა, ე. ი. ტვინიც, მეტი ჰქონდა, მაგრამ, ამავე დროს, ჯერ კიდევ ძალზე განვითარებული იყო სახის ქალა, განსაკუთრებით ქვედა ყბა, რ-საც არ გააჩნდა თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიკაპის ბორცვი.

ლიტ.: Бунак В. В., Нестурх М. Ф., Рогинский Я. Я., Антропология, М., 1941; Рогинский Я. Я., Левин М. Г., Антропология, 3 изд., М., 1978. *ზ. აბდუშელიშვილი.*

სინანთროპული ორგანიზმები (ბერძნ. syn—ერთად და anthrōpos — ადამიანი), ადამიანთან და მის სამეურნეო საქმიანობასთან ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული ცხოველები, მცენარეები და მიკროორგანიზმები, ადამიანის შინაგანი და გარეგანი პარაზიტები (ჰელმინთები ტკიპები, რწყილები, კოღოები და სხვ.). ს. ო-ს უწოდებენ სრულს, თუ მთლიანად ადამიანის საცხოვრებელთან არიან დაკავშირებული, ან არასრულს, თუ მხოლოდ დასახლ. პუნქტებში ბინადრობენ, ბინებში კი არ გვხვდებიან. ზოგი უმარტივესი, აგრეთვე ჭია, ფეხსახსრიანი, ფრინველი, ძუძუმწოვარი ადამიანის სიახლოვეს ბინადრობს და ამ უკანასკნელის საკვებით და თავშესაფრით სარგებლობს, სხვები (მაგ., მერცხალი, ნამგალა) მხოლოდ თავშესაფრით კმაყოფილდებიან. არჩევენ ე. წ. ობლიგატურ ანუ აუცილებელ (და ფაკულტატურ ანუ შესაძლო ს. ო-ს. ობლიგატურ ს. ო-ს (მაგ., სახლის



სინათლის წნევა. პ. ლებედევის ხელსაწყოს ძირითადი ნაწილია ბრტყელი მსუბუქი ფრთები, რომელთა დიამეტრი 5 მმ-ია და დამზადებულია სხვადასხვა ლითონისა (პლატინა, ალუმინი, ნიკელი) და ქარსისაგან. ფრთებს კიდებდნენ მინის წვრილ ძაფზე და ათავსებდნენ მინის G ჭურჭელში. სპეციალური ოპტიკური სისტემისა და სარკეების მეშვეობით ძლიერი ელექტრული რკალიდან ფრთებისკენ მიმართავდნენ სინათლეს. S_1 და S_2 სარკეების გადაადგილება ფრთებზე სინათლის დაცემის მიმართულების ცვლილების საშუალებას იძლეოდა. ხელსაწყოს მოწყობილობამ და გაზომვის მეთოდიკამ შესაძლებელი გახადა ხელშემშლელი რადიომეტრული ძალების მინიმუმამდე დაყვანა და სინათლის წნევის აღმოჩენა ამრეკლ და შთამნთქმელ ფრთებზე, რომლებიც ამ წნევის გაელენით გადაიხრებოდნენ და გრეხდნენ ძაფს. 1907—10 ლებედევმა გამოიკვლია სინათლის წნევა აირებზე, რაც უფრო ძნელი იყო, რადგან სინათლის წნევა აირებზე ასეულჯერ უფრო მცირეა, ვიდრე მყარ სხეულებზე [ნახაზზე B არის სინათლის წყარო (ნახშირის რკალი); C—კონდენსორი; D — ლითონის დიაფრაგმა; K — ლინზა; W—წყლიანი მინის ჭურჭელი, რომლის ბრტყელპარალელური კედლები შუქფილტრის როლს ასრულებს. S_1—S_6—სარკეები; L_1 და L_2—ლინზები: R — D დიაფრაგმის გამოსახულება ფრთებზე (ნახაზზე ნაჩვენები არ არის) მინის G ბალონის შიგნით; P_1 და P_2 — მინის ფირფიტები; T— თერმობატარეა; R_1—D დიაფრაგმის გამოსახულება თერმობატარეის ზედაპირზე].



სინანთროპი (ზ. გერასიმოვის რეკონსტრუქცია).

თაგვს, ბეღურას, ბაღლინჯოს) ადამიანის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, რამაც განაპირობა მათი კოსმოპოლიტური გავრცელება. ზოგი ს. ო. (მაგ., სზ. მემინდვრია, ზოგი წვრილი მტაცებელი) უშუალოდ არ არის დაკავშირებული ადამიანთან, თუმცა მისი გავლენა ხშირად აშკარად ჩანს (მაგ., მაუნებლის პოპულაციის რაოდენობის მკვეთრი ზრდა კულტ. ნათესებში). *გ. ქაჯაია.*


სინანი, ხოჯა სინანი (1489 ან 1490, კაისერი, — 1588, სტამბოლი), თურქი არქიტექტორი და ინჟინერი. 1538-იდან ხელმძღვანელობდა სამშენებლო საქმეს სულთან სულეიმან I-ის კარზე. აგებდა მეჩეთებს, სიმაგრეებს, ხიდებსა და სხვ. მისი საუკეთესო ნამუშევრებია მეჩეთები: შაჰზადე, 1548; სულეიმანიე, 1550—57, ორივე სტამბოლში; სელიმიე ედირნეში, 1569—75.

„სინანულისათვის და სიმდაბლისა“, VII ს. სამედიცინო ძეგლი, რ-ის ავტორია პალესტინის საბაწმიდის ქართველთა ლავრის წინამძღვარი მარტვილი საბაწმიდელი. ძეგლში აღწერილია ფიზიოლ. მეტად რთული საკითხები; მთელი ორგანიზმი წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანი, ყველა ორგანოს იმპულსების თავშესაყარი, რ-ის განმგებელია ტვინი, გული კი „მეუფეა“ ორგანოთა, ის აწვდის სისხლს ორგანიზმის ყველა ნაწილს და ა. შ. დახასიათებულია სხვა ორგანოები და მათი ფუნქციები, მოცემულია მდიდარი სამედ. ტერმინოლოგია. აღნიშნულია, რომ იმ დროს საქართველოში იყვნენ „მეცნიერნი მკურნალნი“, საბაწმიდის ქართველთა ლავრაში იყო ქსენონი, ჰყავდათ დაქირავებული მკურნალი და სხვ. ქართ. მედ. ისტორიაში „ს. და ს.“ ჯერჯერობით სამედ.-ბიოლ. შინაარსის უძველეს ნაწარმოებად ითვლება.

ლიტ.: შენგელია მ., საექიმო საქმიანობა საბაწმიდის (იერუსალიმი) ქართველთა ლავრაში, მის წგნ.: მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბ., 1961, გვ. 71—74.

მ. შენგელია.

სინაპი, ვაშლის ჯიშების ჯგუფი ყირიმული წარმოშობისა. ყველაზე ძველად მიჩნეულია სარი (ყვითელი) ს., რ-ის წინაპარი შემოტანილი უნდა იყოს სინოპიდან (თურქეთი). ვარაუდობენ, რომ ყველა ყირიმული ს. (კანდილი, სირლი, თეთრი, საბლი და სხვ.) წარმოშობილია სარი ს-ის თესლით გამრავლებით. ს-ის ხე ძლიერ მზარდია, ახალგაზრდა ვარჯი პირამიდულია, მსხმოიარობის პერიოდში გადაიშლება. ნაყოფს იძლევა მე-12, მე-15 წელს. მეწლეა. უხვად მსხმოიარობს. ნაყოფი ცილინდრულია, დიდხანს ინახება, ტრანსპორტაბელურია. საქართ-



სინაფსი. ა—სქემა სინაფსებისა, რომელთაც ახასიათებთ გადაცემის ელექტრული და მექანიკური მექანიზმები (დენის მიმართულებას უჩვენებს ისრები): I—აგზნება; i—შეკავება; ქიმიური გადაცემა ხდება I-სა და III უჯრედებს შორის, ელექტრული—II-სა და III შორის. ბ—პრესინაფსური ნერვული დაბოლოება, რომელშიც განლაგებულია სინაფსური ბუშტუკები (სქემა).



სინგაპურის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ველოში გავრცელებული იყო სარი ს. და კანდილი ს. ამჟამად დარაიონებულია და ფართოდაა გავრცელებული ქართული ს. (ადგილ. ხალხ. სელექციის ჯიში) და გორული ს. (გამოყვანილია თ. ცერცვაძის მიერ). *მ. ვარძელაშვილი.*

სინაური ანდრია (ნამდვ. სახელი და გვარი —ანდრო ივანეს ძე სინაურიძე) [5 (18). XI. 1896, სოფ. ინაშაური, ახლანდ. ვანის რ-ნი, — 18. XII. 1976, ქუთაისი], ქართველი საბჭ. პოეტი. სამოქალაქო ომის მონაწილე. 1925-იდან მძიმე ავადმყოფობამ სამუდამოდ მიაჯაჭვა სარეცელს. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1933, ლექსთა პირველი კრებ. „ლექსები" — 1954. ს-ს ეკუთვნის პოეტური კრებულები „მზე და გული" (1960), „სამშობლოს ყვავილნარში" (1964), „დილიდან ბინდამდე" (1968), „ფიქრები, ფიქრები..." (1969) და სხვ. *ლ. კინწურაშვილი.*

სინაფსი (ბერძნ. synapsis — შეერთება, კავშირი), *ნეირონის* კონტაქტის ადგილი მეორე ნეირონთან, კუნთთან ან სხვა ორგანოსთან, რ-ის საშუალებითაც ხდება *აგზნების* ან *შეკავების* გადაცემა. აგზნება ან შეკავება გადაეცემა მხოლოდ ერთი მიმართულებით, კერძოდ, ნეირონის სინაფსური დაბოლოებიდან (პრესინაფსიდან) მეორე ნეირონის სხეულზე, მის მორჩებზე ან ეფექტორული ორგანოს მემბრანაზე (პოსტსინაფსზე). პრესინაფსურ და პოსტსინაფსურ მემბრანებს შორის არის სინაფსური ნაპრალი, რ-ის სიგანე სხვადასხვა ს-ში რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულ ანგსტრემამდე მერყეობს. ს-ის პრესინაფსური დაბოლოება, როგორც წესი, ნეირონის *აქსონის* გაფართოებული ბოლილისაგან შედგება. აქ თავმოყრილია *მიტოქონდრიების* დიდი რაოდენობა, რაც მეტყველებს აქ მიმდინარე პროცესების მაღალ ენერგეტიკაზე. არსებობს ამგზნები ს-ები, რ-ებშიც ხდება პოსტსინაფსური მემბრანის დეპოლარიზაცია, და შემაკავებელი ს-ები, რ-ებშიც მიმდინარეობს პოსტსინაფსური მემბრანის ჰიპერპოლარიზაცია.

ცხოველთა უმრავლესობაში აგზნების ან შეკავების სინაფსური გადაცემა სპეც. ქიმ. ნივთიერებების — *მედიატორების* საშუალებით ხდება. ასეთ ს-ებში პრესინაფსურ დაბოლოებაში მოთავსებულია მედიატორით გავსებული ბუშტუკები — ვეზიკულები. მედიატორი სინაფსურ ნაპრალში ვეზიკულებიდან მცირე ულუფების, ქვანტების სახით გამოიყოფა პრესინაფსურ დაბოლოებაში *სპაიკური პოტენციალის* აღმოცენებისას. მედიატორის გამოყოფა პრესინაფსის მცირედი დეპოლარიზაციის დროსაც ხდება. ასეთ შემთხვევაში გამოყოფილი მედიატორის რაოდენობა მხოლოდ მინიატიურულ პოსტსინაფსურ პოტენციალებს იწვევს და ეფექტური გადაცემა არ ხდება. სინაფსურ ხაპრალში გამოყოფილი მედიატორი პოსტსინაფსურ მემბრანაზე სპეციფიკურად მოქმედებს. ყოველი ს. შეიცავს მხოლოდ ერთი სახის მედიატორს, ხოლო ამ უკანასკნელის მოქმედება განპირობებულია პოსტსინაფსური მემბრანის ქიმ. თავისებურებით. მაგ., მედიატორი აცეტილქოლინი ჩონჩხის კუნთებზე აგზნებად მოქმედებს, ხოლო გულის კუნთზე — შემაკავებელად. ს-ში ინფორმაციის მედიატორულ გადაცემას უზრუნველყოფს რთული ქიმ. გარდაქმნების ციკლი. ერთი მხრივ, პრესინაფსურ დაბოლოებაში ყოველთვის ხდება მედიატორის საკმარისი მარაგის სინთეზი, ხოლო, მეორე მხრივ, სინაფსურ ნაპრალში არსებობს სპეც. ნივთიერება, რ-იც მედიატორის სწრაფ დაშლას იწვევს და ამით უზრუნველყოფს გადაცემის ხანმოკლე მიმდინარეობას. აცეტილქოლინისათვის ასეთ ნივთიერებას წარმოადგენს აცეტილქოლინესთერაზა. ცენტრ. ნერვულ სისტემაში დადგენილია რამდენიმე სახის ამგზნები მედიატორი: აცეტილქოლინი, სეროტონინი, ნორადრენალინი და სხვ. ნავარაუდევია აგრეთვე ზოგიერთი ამინომჟავას როგორც სპეც. შემაკავებელი მედიატორის როლი. ასეთებია გამა-ამინოერბომჟავა, გლიცინი და ტაურინი. ქიმ. ს-ში გადაცემის მედიატორულ ბუნებას ადასტურებს სინაფსური დაყოვნება.

გარდა ქიმ. ს-ისა, ზოგიერთ უხერხემლო ცხოველში (კიბოსნაირებში, რგოლოვან ჭიებში) დადგენილია ისეთი ს-ის არსებობა, სადაც ინფორმაციის გადაცემა უშუალოდ ელექტრული დენის მოქმედებით ხორციელდება. ასეთ ს-ში სინაფსური დაყოვნება პრაქტიკულად ნულის ტოლია. გარდა წმინდა ქიმ. და ელექტრული ს-ებისა, ვარაუდობენ ისეთი ს-ის არსებობასაც, სადაც გადაცემა შეიძლება ორივე გზით ხდებოდეს.

ლიტ.: Зурабашвили А. Д., Синапсы и обратимые изменения нервных клеток, 2 изд., Тб., 1958; Немечек С., Введение в нейробиологию, пер. с чешск., Прага, 1978; Синапс, [კრ.:] Молекулы и клетки, М., 1966; Эккле Дж., Физиология синапсов, пер. с англ., М., 1966.

ა. ქორელი.

სინაფსური დაყოვნება, დრო, რ-იც გადის სინაფსურ დაბოლოებაში აგზნების აღმოცენებიდან პოსტსინაფსურ უჯრედში რეაქციის დაწყებამდე. იმ *სინაფსებში*, სადაც აგზნება ქიმიურად გადაიცემა, ს. დ. განპირობებულია იმ დროით, რ-იც აუცილებელია *მედიატორის* გამოყოფისა და მისი მოქმედებისათვის პოსტსინაფსურ მემბრანაზე. ამ ტიპის სხვადასხვა სინაფსში ს. დ. მერყეობს 0,5-იდან 1—2 *მწმ*-მდე. იმ სინაფსებში, სადაც აგზნება ელექტრულად გადაიცემა, ს. დ. პრაქტიკულად ნულის ტოლია.

ა. ქორელი.

სინახერიბი (ასურ. სინახერბა), ასურეთის მეფე ძვ. წ. 705—680. თავისი მამის სარგონ II-გან განსხვავებით, საშინაო პოლიტიკის გატარებისას ყველაფერს არმიის ინტერესებს უმორჩილებდა. ქურუმები და არისტოკრატიის ზედაფენა გადაიმტერა. ძვ. წ. 702 ჩააქრო ქ. ბაბილონის მეთაურობით მოწყობილი აჯანყება. მალე იუდეის მეფე იეზეკიაც აჯანყდა. ს-მა ალყა შემოარტყა იერუსალიმს, მაგრამ მალე იძულებული გახდა გამოსასყიდი მიეღო და უკან გაბრუნებულიყო. ძვ. წ. 689 აიღო ბაბილონი, რ-იც მეორეჯერ აუჯანყდა. ადგილობრივი მცხოვრებნი მონებად გაყიდა, ხოლო ქალაქი მთლიანად დაანგრია. ს-მა დედაქალაქი დურ-შარუქინიდან ისევ ნინევიაში გადატანა, სადაც დიდი საალმშენებლო სამუშაოები ჩაატარა. ძვ. წ. 680 შეთქმულებმა მოკლეს. *ჯ. შარაშენიძე.*

სინგამოზი, ფრინველთა დაავადება, იწვევს ქათმის პარაზიტი singamus trachea, სინგამიდების ოჯახის მრგვალი პარაზიტული ჭიების წარმომადგენელი, რ-იც პარაზიტობს ფრინველის სასუნთქ გზებში. ს. ფართოდაა გავრცელებული დას. და აღმ. საქართველოში. პარაზიტების დიდი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში ფრინველი იღუპება. მკურნალობა: იოდისა და კალიუმის იოდიდის სუსტი წყალხსნარი, სალიცილმჟავა ნატრიუმისა და იოდინოლის ჩაწვეთება ტრაქეაში, თიაბენდაზოლის, სინგამიქსის მიცემა საკვებთან ერთად.

ი. სადათერაშვილი.

სინგაპური (Singapore), სინგაპურის რესპუბლიკის დედაქალაქი, სამხრ.-აღმ. აზიის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური, სავაჭრო-საფინანსო და სამრეწვ. ცენტრი. გაშენებულია სინგაპურის სრუტესთან. რკინიგზით უკავშირდება მალაკის ნ.-კ-ს. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. უჭირავს კ. სინგაპურის სამხრ. ნაპირი და მიმდებარე წვრილი კ-ები. 1,6 მლნ-ზე მეტი მცხ. (1983).

ძალაიური თქმულებით, ს. დააარსა 1299 *შრივიჯაიის* სახელმწიფოს უფლისწულმა და უწოდა მას ლომის ქალაქი (სანსკრ.-სინგაპურა). 1365 დაანგრიეს *მაჯაპაჰიტის* ჯარებმა. ს. კვლავ გახდა ცნობილი ინგლ. კოლონიზატორების მიერ კ. სინგაპურის დაპყრობის შემდეგ. 1832 ს. იყო სტრეიტს-სეტლმენტსის კოლონიის, შემდეგ ბრიტ. მალაიის (1946-მდე), ხოლო 1946—59 იმავე სახელწ. ინგლ. კოლონიის მთავარი ქალაქი. 20-იან წლებში დიდმა ბრიტანეთმა ს-ში დაიწყო შორეულ აღმ-ში უდიდესი სამხ.-საზღვ. ბაზის მშენებლობა (დასრულდა 1938). 1965 დეკ-იდან არის სინგაპურის დამოუკიდებელი რესპ. დედაქალაქი. 1960-იან წლებში ინგლ. სამხ.-საზღვ. ბაზა ს-ს გადაეცა.

ს-ის ეკონ. საფუძველია საგარეო-სავაჭრო ოპერაციები (უმთავრესად რეექსპორტული). ს. არის ნატურალური კაუჩუკის, ქოქოსის პალმის პროდუქტების, ჩე-ტყის, სანელებლების, ხილის, ყავის, კალის, ნავთობის დიდი ბაზარი. ტვირთბრუნვით (100,1 მლნ. ტ, 1983) ს. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. განვითარებულია გემთმშენებლობა და გემების რემონტი, ნავთობგადამუშავება, რადიოელექტრონული, ოპტ.-მექან., ლითონდასამუშ., საფეიქრო, სამკერვალო მრეწვ., არის ცემენტის, ქიმ., რეზინის, ხის დასამუშ., კეების მრეწვ. საწარმოები. თევზჭერა.


ქალაქი შედგება მკვეთრად განსხვავებული რ-ნებისაგან. უხვად გამწვანებულ, რეგულარულად დაგეგმარებულ (1819-იდან, არქიტ. ტ. რაფლზი და სხვ.) ადმ. და საქმიან ცენტრებში, აგრეთვე ევრ. კვარტალებში ჭარბობს XIX ს. ეკლექტიკური და თანამედროვე არქიტ. ნაგებობები. ს-ის „საზღვაო ფასადი" განაშენიანებულია მრავალსართულიანი შენობებით, სადაც განლაგებულია ბანკები, მაღაზიები და სხვ. ჩინურ რ-ნში ვიწრო ქუჩები და მცირესართულიანი დუქნიანი სახლებია, მალაიურ რ-ნში — ხიმინჯებიანი სახლები და მეჩეთები.

ს-ში არის სინგაპურის უნ-ტი, ნანიანის უნ-ტი, პოლიტექ. ინ-ტი, ტექ. კოლეჯი; ბოტან. ბაღი, სამხრ.-აღმ. აზიის შემსწავლელი ინ-ტი, არქიტ. ინ-ტი, სამეცნ. საზ-ბები და ასოციაციები; ეროვნ. ბ-კა; ეროვნ. მუზეუმი; ეროვნ. თეატრი, საკონცერტო დარბაზი „ვიქტორია".


სინგაპური (Singapore), სინგაპურის რესპუბლიკა (Republic of Singapore), სახელმწიფო სამხრ.-აღმ. აზიაში, კ. სინგაპურსა და მიმდებარე წვრილ კ-ებზე, მალაკის ნ.-კ-ის სამხრ. დაბოლოებასთან. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 619 *კმ*². მოსახლ. 2,5 მლნ. კაცი (1984). დედაქალაქი—სინგაპური. ოფიც. ენები — ინგლისური, მალაიური, ჩინური, ტამილური. ეროვნ. დღესასწაულია 9 აგვ. — რესპ. ეროვნ. დღე (1965). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული, იხმარება მთვარის პიჯრაც. ფულის ერთეულია სინგაპურის დოლარი.


ს. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1963 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუ-





სტ. *სისხლი*. ადამიანისა და სხვადასხვა სახეობის ცხოველის სისხლის მიკროსკოპული სურათი: I. ბაყაყი; II. ქათამი; III. ბოცვერი; IV. ადამიანი; V. ცხენი; VI. მსხვილი რქოსანი საქონელი; ბ—ბაზოფილი (ბ$_ჩ$—ჩხირბირთვიანი, ბ$_ს$—სეგმენტბირთვიანი); ე—ეოზინოფილი (ე$_ა$—ახალგაზრდა, ე$_ჩ$—ჩხირბირთვიანი, ე$_ს$—სეგმენტბირთვიანი); გ—გრანულოციტი ანუ ფსეუდოეოზინოფილი (გ$_ა$—ახალგაზრდა, გ$_ჩ$—ჩხირბირთვიანი, გ$_ს$—სეგმენტბირთვიანი); ნ—ნეიტროფილი (ნ$_ა$—ახალგაზრდა, ნ$_ჩ$—ჩხირბირთვიანი, ნ$_ს$—სეგმენტბირთვიანი); ლ—ლიმფოციტი (ლ$_დ$—დიდი, ლ$_საშ$—საშუალო, ლ$_პ$—პატარა); მ—მიელოციტი (მ$_ბ$—ბაზოფილური, მ$_ე$—ეოზინოფილური); მონ—მონოციტი; თ—თრომბოციტი; ტ—ტიურკის უჯრედი; ერ—ერითროციტი (ერ$_ა$—პოლიქრომატოფილური); ნრ—ნორმობლასტი (ნრ$_ო$—ორთოქრომული, ნრ$_ა$—პოლიქრომატოფილური). ცენტრში—ზოგი სასისხლო და ლაბორატორიული ცხოველის ფორმისა და ზომის შედარება (მასშტაბი $^3/_4$ *მმ*—1 *მკმ*): **1.** პროტეუსი; **2.** ტრიტონი; **3.** ბაყაყი; **4.** მტრედი; **5.** ქათამი; **6.** სპილო; **7.** ზღვის გოჭი; **8.** ძაღლი; **9.** ვირთაგვა; **10.** ბოცვერი; **11.** კატა; **12.** ლამა; **13.** თაგვი; **14.** აქლემი; **15.** ცხენი; **16.** ღორი; **17.** ვირი; **18.** ძროხა; **19.** ცხვარი; **20.** თხა; **21.** კაბარგა.





სტ. *სიფრიფანაფრთიანები*. **1.** მურყნის ბოლორჭიანა (დედალი); **2.** შავი ბოლორჭიანა (მამალი); **3.** დიდი მწვანე მხერხავა (დედალი); **4.** ტირიფის ცომბექსი (დედალი); **5.** რისა (დედალი); **6.** დიდი კრაზანა-მბზინვარა (დედალი); **7.** ფიჭვის დიდი ქარცი მხერხავა (დედალი); **8ა.** ექვსკბილა ატა, დედალი; **8გ.** მამალი; **8ბ.** „მუშა"; **9.** ტაიგის ბაზი (დედალი); **10.** სკოლია-გიგანტი (დედალი); **11.** შორეულაღმოსავლური ონავარი (დედალი).

სტ. *სწორფრთიანები*. **1.** ცისფერფრთიანი კალია; **2.** ვაზის ჭრიჭინა; **3.** მაროკოული კალია; **4.** იტალიური კალია; **5.** მინდვრის ჭრიჭინა; **6.** უდაბნოს კალია; **7.** საქსეტანია; **8.** ჩვეულებრივი მახრა ანუ ბოსტანა; **9.** აკრიდა; **10.** ჯვარულა.

ფლება ; ეკუთვნის ერთპალატიან პარლამენტს (იირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით). სახელმწიფოს შეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევს პარლამენტი 4 წლის ვადით. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. მთავრობა ფორმალურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. *ფერადი ჩანართი სტატიებთან სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნებაბა. კ. სინგაპური მალაკის ნ.-კ-გან გამომყოფილია ჯოჰორის სრუტით, ინდონეზ. კ-ებისაგან — მალაკისა და სინგაპურის ; სრუტეებით. ნაპირები დაბალია, უმეტესადდ დაჭაობებული, ბევრია ესტუარი. სამხრ.-დას. სანაპიროსთან მარჯნის რიფებია.ა. რელიეფი ;ვაკეა (სიმაღლე 176 *მ*-მდე). ჰავა ტროპ. მუსონურია. იანვ. საშ. ტემპ–რაა 26,2°C, ივლ. 27,4°C. ნალექები ; დაახლ. 2500 *მმ* წელიწადში. ტერიტ. ნაწილი შემოსილია ტროპ. ტყით. სანაპიროზე მანგროვიანია.

მოსახლეობა. ს-ში ცხოვრობენ ჩინელები, მალაიელები, ინდოეთიდან, ბანგლადეშიდან, პაკისტანიდან და შრი-ლანკიდან გადმოსახლებული ხალხი.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 65% დასასქმებულია ვაჭრობის სფეროში. მოსახლ. . მჭიდროდაა დასახლებული, დაახლ. 4 ; ათ. კაცი 1 *კმ*²-ზე. უდიდესი ქალაქია სინგაპური (1,6 მლნ-ზე მეტი მცხ., 1983).

ისტორიული ცნობა. ს-ის ძვ. ისტორია ცნობილი არ არის. XIV ს. ბოლომდე იავისა და ; ჩინ. ქრონიკები ამ კუნძულს ტუმასიკს ; უწოდებდნენ (იავური „მასეკ" — ზღვა). ვარაუდობენ, რომ ქ. სინგაპური დაარსდა 1299. ცნობილია, რომ 1275 კუნძულზე იერიში მიიტანეს იავის მეფის კერტანაგარის ჯარებმა, ხოლო 1349 — სიამის სამხ. გემებმა. XIV ს-ში კუნძული მიეკუთვნებოდა ინდონეზ. მაჯაპაჰიტის იმპერიას, ხოლო XV ს-ში ტაის სახელმწიფოს მეფეს სუკოტაის ჰქონდა ს-ის, მალაკისა და მალაიის მმართველის ტიტული. 1819 ს. გადავიდა ინგლ. ოსტ-ინდ. კომპანიის ხელში (1824 ხელშეკრულებაა). 1942—45, II მსოფლიო ომის (1939—45) დროს, ს. ოკუპირებული იყო იაპ. ჯარების მიერ. ომის შემდეგ, ბრიტ. კოლონ. . იმპერიის მსხვრევის შედეგად, ს-ში გაძლიერდა ანტიიმპერიალ. მოძრაობა. აღმოცენდა პოლიტ. პარტიები — სახ. მოქმედების პარტია (სმპ), დაარსდა 1954, და სხვ. 1956—58, ინგლ.-ს-ის მოლაპარაკების შედეგად, ს-მა მიიღო (1959) „თვითმმართველი სახელმწიფოს" სტატუტი.

1959 ; შეიქმნა ს-ის მთავრობა, რ-საც სათავეში ჩაუდგა სმპ-ის ლიდერი ლი კუანიუ. . 1963 ს. შევიდა მალაიზიის ფედერაციაში. 1965 წ. 9 აგვ. ფედერალურ ძალაუფლებასთან არსებული წინააღმდეგობის გამო, ს. გამოვიდა ფედერაციიდან. 1965 სექტ-ში იგი გახდა გაეროს წევრი, ; ხოლო იმავე წლის 22 დეკ. ს. რესპუბლიკად გამოცხადდა. 1968 წ. 1 ივნ. ს-მ დაამყა: ;ა დიპლ. ურთიერთობა სსრ კავშირთან. 1972 ჩატარებული არჩევნებისას დროს ყველა ადგილი პარლამენტში მიიღო სმპ-მ. წამყვანი პროფ. ორგანიზაცია პროფკავშირების ეროვნ. კონგრესი დაარსდა 1961. საგარეო პოლიტიკაში ს-ს ახლო ურთიერთობა აქვს აშშ-თან, ავსტრალიასთან, იაპონიასთან, ინგლისთან.

ეკონომიკა. ს-ის ეკონომიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა ინგლ. კოლონ. ბატონობის პირობებში. მისი სამეურნეო მნიშვნელობა განისაზღვრებოდა უმთავრესად სავაჭრო და სატრანსპ. ფუნქციებით, რაც განაპირობა კუნძულის ხელსაყრელმა მდებარეობამ წყნარი ; და ინდ. ოკეანეების დამაკავშირებელ ს.საზღვ. გზებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფომ გაატარა ინდუსტრიალიზაციის პროგრამა, რის შედეგადაც მკვეთრად შეიცვალა ეკონომიკის სტრუქტურა. ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელება მთელი რიგი ღონისძიებებისა, რ-თა შედეგადაც რამდენადმე გაიზარდა მრეწვ. ზოგიერთი დარგი, გაფართოვდა საგარეო-სავაჭრო კავშირები. ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს კერძო, მ. შ. უცხ. კაპიტალი. ინგლ., იაპ., ამერ., ავსტრალ., დას. გერმ. მონოპოლიები აკონტროლებენ მრეწვ. ახ. დარგებს, საზღვ. ნაოსნობას, საბანკო საქმეს და დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის მეურნ. სხვა სფეროებშიც.

განვითარებულია ნავთობგადასამუშ., ელექტრონული, ელექტროტექ., ოპტ.-მექან. მრეწვ., გემთმშენებლობა და გემების რემონტი, სამრეწვ. მოწყობილობის წარმოება, არის კალისა და ფოლადსადნობი საწარმოები, ხის დასამუშ., რეზინის, საფეიქრო, კვების, ქიმ., საშენ მასალათა მრეწველობა. განვითარებულია ხელოსნობა.

მუშავდება ტერიტ. დაახლ. 20%. არის კაუჩუკოვნების, ქოქოსის პალმის, სანელებლების, თამბაქოს პლანტაციები. მისდევენ მებოსტნეობას, მეხილეობას, მეღორეობას, მეფრინველეობას, თეგზჭერას (19,1 ათ. ტ, 1983).

რკინიგზის სიგრძეა 26 *კმ*, საავტ. გზებისა — 2 ათ. *კმ*-ზე მეტი (1983). 1983 ავტოპარკში იყო 476,3 ათ. ავტომობილი, მ. შ. 216,9 ათ. — მსუბუქი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი და ნავსადგურია სინგაპური. 1983 ექსპორტმა შეადგინა 46155 მლნ. სინგაპურის დოლარი, იმპორტმა — 59504 მლნ. გააქვთ მანქანა-მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები, საფეიქრო, სამკერვალო ნაწარმი, კაუჩუკი, მცენარეული ზეთი, პილპილი, ბეტყე, კალა. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, კაუჩუკი, ქსოვილი, ბრინჯი, მცენარეული ზეთი, პილპილი და სხვ. ტვირთბრუნვის დაახლ. 1/3 მოდის სატრანზიტო ოპერაციებზე. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ, იაპონია, მალაიზია, სიანგანი, ტაილანდი, დიდი ბრიტანეთი, გფრ, ავსტრალია, ჩინეთი.

1983 ს. დაათვალიერა 2,9 მლნ. უცხოელმა ტურისტმა.

განათლება. სავალდებულო დაწყ. სკოლა 8-წლიანი, უფასო. საშ. სკოლა 6-წლიანია (4±2). სავალდებულოა ინგლ. და სამი ენიდან — მალაიური, ჩინ., ტამილური — ერთ-ერთის შესწავლა. 1984 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 340 ათ-მდე მოსწ., საშ. სკოლაში 175 ათ-მდე. 1—5-წლიანი პროფმომზადება ხორციელდება 8-წლიანი დაწყ. სკოლის ბაზაზე (1984 წ. — 20 ათ-მდე მოსწ.). არის პროფტექ. ინ-ტები, რ-ებიც მუშაობს არასრული საშ. სკოლის ბაზაზე (1984 სწავლობდა 7 ათზე მეტი სტუდენტი). უმაღლესი სასწავლებლებია: სინგაპურის უნ-ტი (დაარსდა 1949), ნანიანის უნ-ტი (1953), პოლიტექ. ინ-ტი (1954), ტექ. კოლეჯი — ქ. სინგაპურში. აქვე არის ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 1884, 520 ათ. ტ.), სინგაპურის უნ-ტის ბ-კა (540 ათ. ტ.); ეროვნ. მუზეუმი (1848). გამოდის რამდენიმე პერიოდული გამოცემა. რადიომაუწყებლობა მუშაობს 1959-იდან, ტელევიზია — 1963-იდან.

ლიტ.: Чуфрин Г. И., Сингапур, М., 1970; Books about Singapore. 1972, Singapore, 1975.

სინგაპურის სრუტე, სრუტე მალაკის ნ.-კ-ს, კ. სინგაპურსა და რიაუს არქიპელაგს შორის. აკავშირებს სამხრ. ჩინეთის ზღვას მალაკის სრუტესთან. სიგრძე 110 *კმ*, სიგანე 4,6-იდან 21 *კმ*-მდე. მაქს. სიღრმე ფარვატერზე 22 *მ*. ს. ს-ში გადის საზღვაო გზა, რ-იც ერთმანეთთან აკავშირებს სამხრ. და აღმ. აზიის ნავსადგურებს, აგრეთვე სამხრ. აზიის ნავსადგურებს — ამერიკისა და ავსტრალიის, ხოლო აღმ. აზიისას — ევრ. და აფრ. ნავსადგურებთან.

სინგენეტური საბადო (ბერძნ. syn — ერთად და genētos — შობილი), *სასარგებლო წიაღისეულის საბადო*, რ-იც წარმოიქმნება მის შემცველ ქანებთან ერთად, ს. ს-ებს, ჩვეულებრივ, ფენობრივი ფორმა აქვს; შემცველ წყებებთან თანხმობით არიან განლაგებული. ს. ს-ებს ძირითადად ეკუთვნის სასარგებლო წიაღისეულის დანალექი საბადოები — თიხების, ქვიშების კირქვების, ნახშირის, საწვავი ფიქლების, მარილების, ფოსფორიტების, ბოქსიტების, რკინის, მანგანუმის და სხვ.

სინგი (Synge) რიჩარდ ლორენს მილინგტონ (დ. 28. X. 1914, ლივერპული), ინგლისელი ბიოქიმიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1950). დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (1936). 1941—43 მუშაობდა შაღის მრეწვ. ასოციაციაში, 1948-იდან როუეტის კვლევითი ინ-ტის (ბაქსბერნი, აბერდინი) ბიოქიმ. და ცილების ქიმ. განყ-ბის ხელმძღვანელი. 1967-იდან მუშაობს კვების პროდუქტების ინ-ტში ნორიჯში. შეიმუშავა მანაწილებელი ქრომატოგრაფიის თეორ. საფუძვლები და დანერგა პრაქტიკაში. ს. ცილების ანალიზური ქიმ. ერთ-ერთი ფუძემდებელია. ნობელის პრემია (1952, ა. *მარტინთან* ერთად).

სინგი (Synge) ჯონ მილინგტონ (16. IV. 1871, რეთფარნამი, დუბლინთან, — 24. III. 1909, იქვე), ირლანდიელი დრამატურგი. 1893 მონაწილეობდა ირლ. პირველი ეროვნ. თეატრის დაარსებაში. მისი პიესებიდან აღსანიშნავია „წმინდანთა წყარო" (1905), „მკალავის ქორწინება" (1907), განსაკუთრებით კი „დასავლეთის მხარის გმირი" (1907), რ-იც რამდენჯერმე დაიდგა ქართ. სცენაზე. პირველად იგი 1923 დადგა კ. მარჯანიშვილმა (მონაწილეობდნენ: უ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, გ. დავითაშვილი), 1939 დაიდგა სოხუმის თეატრში, 1946 — თბილ. თეატრ. ინ-ტში.


სინგონია *კრისტალოგრაფიული*, კრისტალების დაყოფა მათი ელემენტარული უჯრედის სიმეტრიის მიხედვით. ყოველ ს-ს ახასიათებს ელემენტარული უჯრედის *a*, *b*, *c* ღერძებისა და მათ შორის მდებარე α, β, γ კუთხეების გარკვეული თანაფარდობა. განარჩევენ 7 ს-ს: კუბურს ($a=b=c$, $\alpha=\beta=\gamma=90°$), ტეტრაგონურს ($a=b\neq c$, $\alpha=\beta=\gamma=90°$), ჰექსაგონურს ($a=b\neq c$, $\alpha=\beta=90°$, $\gamma=120°$), ტრიგონურს ($a=b=c$, $\alpha=\beta=\gamma\neq 90°$), რომბულს ($a\neq b\neq c$, $\alpha=\beta=\gamma=90°$), მონოკლინურს ($a\neq b\neq c$, $\alpha=\gamma=90°, \beta\neq 90°$) და ტრიკლინურს ($a\neq b\neq c$, $\alpha\neq\beta\neq\gamma\neq 90°$). ს. სიმეტრიის მიხედვით კრისტალების ყველაზე მსხვილი საკლასიფიკაციო ქვედანაყოფია. ყოველი მათგანი მოიცავს სიმეტრიის რამდენიმე *წერტილოვან ჯგუფს*, ერთ (ტრიკლინური, ტრიგონური და ჰექსაგონური ს-ები) ან რამდენიმე (დანარჩენი ს-ები) *ბრავეს მესერს*.

სინგულარული ინტეგრალი, 1. ფუნქციის წარმოდგენის ერთ-ერთი საშუალება; ს.ი-ს უწოდებენ $f_n(x)=\int_a^b K_n(x,t)\,f(t)\,dt$ სახის ინტეგრალს, რ-იც კრებადია მისი წარმომქმნელი $f(x)$ ფუნქციისაკენ [$f(x)$ ფუნქციის ამა თუ იმ შეზღუდვისას], როცა $n\to\infty$. $K_n(x,t)$ უწოდებენ ს. ი-ის ბირთვს. მაგ.,


$$\frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}\frac{\sin\left(n+\frac{1}{2}\right)(t-x)}{2\sin\frac{t-x}{2}}f(t)\,dt,$$

$$\frac{1}{2}\sqrt{\frac{n}{\pi}}\int_{-\pi}^{+\pi}\cos^{2n}\frac{1-x}{2}\,f(t)\,dt$$


(შესაბამისად, დირიხლესა და ვალე პუსენის ს. ი-ები). ს. ი-ების სისტემის შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ა. *ლებეგმა* (1909).



ნახ. 1. კუბური, ტეტრაგონური და რომბული სინგონიების საკოორდინატო რეპერი. ამ სინგონიების რეპერები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ OA, OB, OC მონაკვეთების (a, b, c ღერძების) თანაფარდობით.




ნახ. 2. პექსაგონური სინგონიის საკოორდინატო რეპერი. გამოიყენება ტრიგონური სინგონიისათვისაც. პექსაგონურ სინგონიაში Z ღერძს ემთხვევა მეექვსე რიგის სიმეტრიის ღერძი, ტრიგონურში—მესამე რიგისა.



$\alpha=\beta=\gamma\neq 90°$

ნახ. 3. ტრიგონური სინგონიის საკოორდინატო რეპერი.



ნახ. 4. მონოკლინური სინგონიის საკოორდინატო რეპერი.

$\alpha\neq\beta\neq\gamma\neq 90°$

ნახ. 5. ტრიკლინური სინგონიის საკოორდინატო რეპერი.

2. იგივეა, რაც არასაკუთრივი *ინტეგრალი*. იხ. აგრეთვე *ინტეგრალური აღრიცხვა, სინგულარული ინტეგრალური განტოლებები*.

სინგულარული ინტეგრალური განტოლებები, *ინტეგრალური განტოლებები* ბირთვებითურთ, რ-ებიც უსასრულობის ტოლი ხდებიან ინტეგრირების არეში ისე, რომ უცნობი ფუნქციის შემცველი შესაბამისი არასაკუთრივი ინტეგრალი განშლადია და იცვლება თავისი მთავარი მნიშვნელობით კოშის მიხედვით. ს. ი. ბ-ის მაგალითია განტოლება ე. წ. ჰილბერტის ბირითვითურთ:

$$a\varphi(s)+\frac{b}{2\pi}\int_0^{2\pi}\varphi(\sigma)\operatorname{ctg}\frac{\sigma-s}{2}\,d\sigma=f(s),$$

რ-ის ამონახსნია შემდეგი ფუნქცია:

$$\varphi(s)=\frac{a}{a^2+b^2}f(s)-$$

$$-\frac{b}{2\pi(a^2+b^2)}\int_0^{2\pi}f(\sigma)\operatorname{ctg}\frac{\sigma-s}{2}\,d\sigma+$$

$$+\frac{b^2}{2\pi\,a\,(a^2+b^2)}\int_0^{2\pi}f(\sigma)\,d\sigma,$$

$$a\neq 0,\ a^2+b^2\neq 0,$$

სადაც პირველი ინტეგრალი განიხილება აგრეთვე მთავარი მნიშვნელობით კოშის მიხედვით. კარგად შესწავლილი ზოგადი კლასის ს. ი. ბ-ებია კოშის ბირთვიანი განტოლებები:

$$a(t)\varphi(t)+\frac{b(t)}{\pi i}\int_L\frac{\varphi(z)}{z-t}\,dz+$$

$$+\int_L K(t,z)\varphi(z)\,dz=f(t),\quad (*)$$

სადაც $a(t)$, $b(t)$, $f(t)$ არის t წერტილის ის უწყვეტი ფუნქციები, რ-თა ინტეგრირების L გზა (რ-იც შეიძლება შედგებოდეს სასრული რაოდენობის გლუვი ორითარა-გადამკვეთი შეკრული ან ღია და უწყვეტი სიმრუდის მქონე წირებისაგან) კომპლ. სიბრტყეშია; სინგულარული ინტეგრალი

$$I(\varphi)\equiv\frac{1}{\pi i}\int_L\frac{\varphi(z)}{z-t}\,dz$$

განიხილება როგორც $I_\varepsilon(\varphi)$ ინტეგრალის ზღვარი L_ε წირის გასწვრივ (L_ε მიიღება L-გან t წერტილის სიმეტრიული 2ε სიგრძის რკალის ამოგდებით), როდესაც $\varepsilon\to 0$; ბირთვი $K(t,z)$ მიეკუთვნება იმ კლასებს, რ-ებსაც განიხილავენ არასინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. (*) სახის ს. ი. ბ-მდე მიყვანართ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის, დრეკადობის თეორიის, ჰიდროდინამ. და სხვა ამოცანებს.

ს. ი. ბ. პირველად (XX ს. დასაწყ.) განიხილეს ა. *პუანკარემ* და დ. *ჰილბერტმა*. ს. ი. ბ-ების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ტ. კარლემანისა და ი. *პრივალოვის* შრომებმა. ყველაზე უფრო სრული შედეგები მიიღეს ნ. *მუსხელიშვილმა*, ი. *ვეკუამ*, ვ. *კუპრაძემ* და მათმა მოწაფეებმა.

ლიტ.: Мусхелишвили Н. И., **Сингулярные интегральные уравнения. Граничные задачи теории функций и некоторые их приложения к математической физике, 3 изд., М., 1968 (ქართ. ენაზე, თბ., 1982).**

სინგულარული წერტილი, წერტილი ორ- ან მრავალკომპონენტიანი სისტემის *მდგომარეობის დიაგრამაზე* ან *შედგენილობა-თვისების დიაგრამაზე*; შეესაბამება არადისოცირებული ნაერთის არსებობას.

სინგური, სულფიდების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა HgS. კრისტალდება ტრიგონურ სინგონიაში. კრისტალები რომბოედრული აქვს. ჩვეულებრივ გვხვდება კრისტ. მარცვლოვანი ან ფხვნილისებრი მასების სახით. ფერი წითელი აქვს. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2–2,5; სიმკვრივე 8090–8200 *კგ/მ*³. წარმოიქმნება ჰიდროთერმული გზით. სსრკ-ში ს-ის საბადოებია უკრაინაში, ყირგიზეთში, ალთაიში, კავკასიაში და სხვ.; საზღვარგარეთ – ესპანეთში, იუგოსლავიაში, იტალიაში, აშშ-სა და სხვ. ვერცხლისწყლის ძირითადი მადნეული მინერალია. ძველად იყენებდნენ აგრეთვე საღებავის დასამზადებლად.

სინგჰი ზაილ (Singh) (დ. 5. V. 1916, სოფ. სანდჰვანი, პენჯაბის შტ.), ინდოეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ჯ. *ნერუსა* და ი. *განდის* თანამოაზრე. წარმოშობით სიქების თემიდან. დაიბადა ხელოსნის ოჯახში. 30-იან წლებში აქტიურად ჩაება ინგლ. კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში. პენჯაბის ერთ-ერთ რ-ნში დააარსა ინდ. ეროვნ. კონგრესის (იეკ) ორგანიზაცია. 1938 ინგლ. ხელისუფლებამ ხუთი წლით დააპატიმრა. ინდ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1947) სხვადასხვა მინისტრის პოსტი ეკავა მთავრობაში, ხელმძღვანელობდა იეკ-ის პარტ. ორგანიზაციას პენჯაბში. 1972-იდან 1977-მდე იყო ამ შტატის მთავარი მინისტრი. 1980 იანვრიდან 1982 ივნ-მდე ინდ. შინაგან საქმეთა მინისტრი. 1982 წ. 12 ივლ. აირჩიეს ინდ. რესპ. პრეზიდენტად. ს. ატარებს მიუმხრობლობის პოლიტიკას. სსრკ-თან ტრად. მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის მომხრეა.

„სინდბადნამე“, „სინდბადის წიგნი“, შუა საუკუნეების სპარსულ-ტაჯიკური მხატვრული პროზის ადრინდელი ნიმუში. ერთი ჩარჩოთი შეკრული არაკების კრებულია. ფალაური წარმოშობის სიუჟეტი გავრცელდა მთელ მსოფლიოში არაბ. თარგმანების მეშვეობით (სირ., ბერძნ., ებრ., ესპ. ვერსიები). ცალკეული არაკები შევიდა „1001 ღამეში“. XI ს-ში ძველი ფალაურიდან ახ. სპარსულზე გადმოიღო ფანარუზიმ. „ს-ს“ სადა ტექსტი მჭევრმეტყველურად გადაკეთა და სხვადასხვა პოეტის მრავალრიცხოვანი ლექსით შეამკო ზაპირი სამარყანდიმ (XII ს.). ამ ვერსიას უკავშირდება თეიმურაზ II-ის მიერ გადმოკეთებული „თიმსარიანი“.

გამოც.: სინდბად-ნამე (აქამდ ათაშის რედ.), სტამბოლი, 1948.

ლიტ.: გორელიშვილი თ., სინდბად-ნამე, «ისუ შრომები», 1964, ტ. 108; Мухаммад аз-Захири ас-Самарканди, Синдбад-наме, пер. М. Н. Османова, М., 1960. ა. *გეახარია.*

სინდები, ძვ. ტომები. სახლობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულსა და ახ. წ. I ს-ში ახლანდ. ტამანის ნ.-კ-ზე. ძვ. წ. V ს-ში ჩამოაყალიბეს მონათმფლობელური სახელმწიფო. IV ს-ში იგი შევიდა *ბოსფორის სახელმწიფოში*. ახ. წ. მიჯნაზე ს. შეერწყნენ *სარმატებს*.

სინდი, პროვინცია პაკისტანის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ქვემო ინდის აუზში. ფართ. 140,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 19 მლნ. კაცი (1981). ადმ. ც. – ქ. კარაჩი. ს. ეკონომიკურად შედარებით განვითარებული რ-ნია. ს-ში, უმთავრესად კი ქვეყნის უდიდეს ეკონ. ცენტრსა და საზღვაო ნავსადგურ კარაჩიში, თავმოყრილია საერთო-ეროვნ. სამრეწვ. წარმოების თითქმის ნახევარი. დიდი სამრეწვ. ცენტრებია აგრეთვე ჰაიდარაბადი და სუკური. საფეიქრო, კვების, ქიმ. მრეწვ., მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ. საწარმოები. ინდის ვაკეზე განვითარებულია მრავალდარგიანი სარწყავი მიწაიმოქმედება. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, შაქრის ლერწამი, ბამბა, ჯოვარი. მეცხოველეობა, თევზჭერა.

ძვ. წ. III–II ათასწლ. შუა ხანებში ს-ის ტერიტორიაზე იყო პროტოინდური ჰარაფის ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. ძვ. წ. VI ს. დასასრ. ს. შევიდა აქემენიდების იმპერიაში, ძვ. წ. 327–325 დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა, შემდეგ – *მაურიების იმპერიამ*. ძვ. წ. II–I სს-ში იყო ბერძნ.-ინდ. სამეფოს ნაწილი, ახ. წ. I–III სს-ში – ქუშანის სამეფოს ნაწილი. VIII ს. დასაწყისში დაიპყრეს არაბებმა. არაბთა დაპყრობებს თან ახლდა ისლამის გავრცელება. დაახლ. 750 ს. გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო სომრას ადგილ. დინასტიების მეთაურობით. 1591 დაიპყრო *აქბარმა*. XVIII ს. დასაწყ. კვლავ დამოუკიდებელი გახდა. 1843 მიიტაცეს ინგლ. კოლონიზატორებმა, 1936 იყო ბომბეის საპრეზიდენტოს ნაწილი ინგლ. კოლონია ბრიტ. ინდოეთში, 1936–47 – ბრიტ. ინდ. პროვინცია. 1947 აგვ. შევიდა პაკისტ. შემადგენლობაში. 1947–55 მისი პროვინციაა, 1955–70 – დას. პაკისტ. ერთიანი პროვინციის ნაწილი, 1970-იდან – კვლავ პროვინცია.

სინდითი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (აჭარისაღმართის სოფსაბჭო), მდ. მაჭახლისწყლის ნაპირზე. ზ. დ. 340 *მ*, ხელვაჩაურიდან 16 *კმ*. XVIII პარტყრილობის სახ. ქედქედის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა). რკაწლ. სკოლა სოფ. ქედქედში (2 *კმ*).

სინდიკატი (გვიანდ. ლათ. syndicatus <syndico – განვიხილავ, ვამოწმებ), 1. კარტელური ტიპის მონოპოლისტური შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა, რ-ის მიზანია მონაწილეებს შორის კონკურენციის გადალახვა საქონლის რეალიზაციისა და ნედლეულის შესყიდვის სფეროში და შესაბამისად მონოპ. მოგების მიღება. ს-ში შემავალი წევრების საქონლის რეალიზაციასა და ნედლეულის შეძენას ახორციელებს ერთიანი ორგანო – კანტორა, რ-იც თავს უყრის დაკვეთებს და ანაწილებს მას ე. წ. კვოტის მიხედვით. ს-ში მონაწილე საწარმოები თავიანთ პროდუქციას აბარებენ წინასწარ განსაზღვრული ფასით. ს. *ჩვეულებრივ* იქმნება *საქციო საზოგადოების* ფორმით. მისი წევრები ინარჩუნებენ იურიდ. და მნიშვნელოვანი ზომით წარმოებითს დამოუკიდებლობას, მაგრამ კარგავენ კომერც. დამოუკიდებლობას. ს-ში მონაწილეობენ ტრესტები და კონცერნები. ს-ის მონაწილეებს შორის მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა, რაც ხშირად მის დაშლას იწვევს. თანამედროვე პირობებში ს. კარგავს თავის მნიშვნელობას (იხ. *კაპიტალისტური მონოპოლიები*).

2. სსრკ-ში (1922–30 წწ.) სამეურნეო ორგანიზაციის ტიპი, რ-იც აერთიანებდა სამრეწვ. ტრესტების ჯგუფებს მათი პროდუქციის საბითუმო გასაღების, ნედლეულის შეძენისა და სავაჭრო ოპერაციების დაგეგმვის მიზნით. პირველი ს. შეიქმნა საფეიქრო მრეწველობაში (1922 წ. მარტი). სახ. მეურნ. უმაღლესმა საბჭომ (სმუს) ს-ის არსი განსაზღვრა როგორც სახელმწ. გაერთიანებებისა და საწარმოების ნებაყოფლობითი კავშირი. 1928 წ. 29 თებერვალს დამტკიცდა „დებულება სახელმწიფო სინდიკატების შესახებ“. აღდგენითი პერიოდის დასასრულს ს. წარმოიქმნა მრეწვ. თითქმის ყველა დარგში. 1923 დასაწყისში სსრკ-ში ითვლებოდა 23 ს., რ-ებსაც წამყვანი მდგომარეობა ეკავათ რეალიზაციის სფეროში. სკკ კპ(ბ) ცკ-ის 1929 წ. 5 დეკ. დადგენილებით ს-ების ბაზაზე შეიქმნა დარგობრივი სამრეწვ. გაერთიანებები.

ჯ. ქაბნიაშვილი.

სინდინამა (ბერძნ. syn – ერთად და dynamis – ძალა), წირი, რ-ის გასწვრივ ლაგდება კომეტის კუდში კომეტის ბირთვიდან განუწყვეტლივ გამომდინარე დაახლ. ერთნაირი ზომის მქონე ნაწილაკები.

სინდისი, ეთიკის კატეგორია, რ-იც გამოხატავს ზნეობრივი შეგნებისა და ზნე-

ობრივი გრძნობის სპეციალურ უნარს — თვითკონტროლისა და თვითგანსჯის ფენომენს. როცა ადამიანის ქცევა ეთანხმება ს-ს განცდა, მორალური კმაყოფილებისა და სიხარულის ემოციები, ხოლო როცა ადამიანი არღვევს მორალის მოთხოვნებს, ღალატობს მოვალეობას და ზიანს აყენებს სხვა ადამიანს ან კოლექტივს, — მას ქენჯნის ს., ანუ ადამიანი კიცხავს საკუთარ თავს, სჯის მას. თვითგანსჯის ეს ფსიქოლ. მექანიზმი პიროვნების ზნეობრივ შეგნებას ემყარება, ამ შეგნების ხასიათზეა დამოკიდებული. ამის შესაბამისად, კლასობრივი შეგნების შემთხვევაში ს-ის ფუნქციონირებასაც კლასობრივი ელფერი ექნება. ამ აზრით ლაპარაკობს მარქსიზმი ს-ის კლასობრივ ხასიათზე. რამდენადაც ს. სამართლიანობის ზოგადსაკაცობრიო გრძნობის გამოხატულებაა, ამდენად თვითონაც ზოგადადამიანური ფენომენია. ხშირად მიუთითებენ პროფ. ს-ის ცნებაზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის გრძნობა პროფ. მოვალეობის წინაშე. *გ. ბანძელაძე.*

სინდისის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, ერთ-ერთი ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტი, რ-იც გულისხმობს მოქალაქის უფლებას — სწამდეს ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეს არავითარი რელიგია. სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში ს. თ-ს განეკუთვნება აგრეთვე თითოეული მოქალაქის უფლება ნებისმიერი ფორმით ეწეოდეს ანტირელიგ. პროპაგანდას ისე, რომ არ შეურაცხყოს მორწმუნეთა რელიგ. გრძნობები; რელიგ. კულტების დაუბრკოლებლად შესრულება, რამდენადაც ეს არ არღვევს საზ. წესრიგს და არ ხელყოფს მოქალაქეთა პირად უფლებებს, მათს პატივსა და ღირსებას; მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მათი რელიგ. კუთვნილების მიუხედავად; სახელმწიფოს საქმეებში ეკლესიის ჩაურევლობა; შინასაეკლ. საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობა. სსრკ მოქალაქეებისათვის ს. თ. გარანტირებულია სსრკ კონსტ. 52-ე მუხლით. ს. თ-ის განხორციელების უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უფრო რეალური გარანტიაა *ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან* და სკოლისა — ეკლესიისაგან.

სინდო კანეტო (ნამდვ. სახელი—Нобору Канэ) (დ. 22. IV. 1912, პიროსიმა), იაპონელი კინორეჟისორი. კინოში მოღვაწეობს 1934-იდან. გადაიღო ფილმები: „ატომური ბომბის შვილები" (1952; სხვა სახელწოდება — „პიროსიმის შვილები"), „ბედნიერი დრაკონი № 5" (1959; საბჭ. ეკრანზე — „ბედნიერი დრაკონის ტრაგედია"). ს-ს მნიშვნელოვანი ნამუშევარია ფილმები: „შიშველი კუნძული" (1960; მთავარი პრემია. მოსკ. II საერთაშ. კინოფესტივალზე, 1961), „19 წლის შიშველნი" (1970; ოქროს პრიზი მოსკ. VII საერთაშ. კინოფესტივალზე, 1971; საბჭ. ეკრანზე — „დღეს სიცოცხლე, ხვალ სიკვდილი"). ს. ფუძემდებელია (1952 რეჟ. კ. იოსიმურასთან ერთად) კინოფირმისა „კინდაი ეიგა კიოკაი" (ტოკიო).

სინდრომი (ბერძნ. syndromē — თავმოყრა), რამდენიმე სიმპტომის შეუღლება, რაც იძლევა გარკვეულ მორფოლოგიურ, პათოგენეზურ და კლინიკურ სურათს. დაავადებისა და ნოზოლოგიური ერთეულისაგან ს. იმით განსხვავდება, რომ მისი განვითარება შეიძლება სხვადასხვა მიზეზთან იყოს დაკავშირებული; მაგ., სისხლის მიმოქცევის უკმარისობის ს. შეიძლება გამოწვეული იყოს გულის სარქვლების, გულის კუნთის, პერიკარდიუმის, მსხვილი სისხლძარღვების, ფილტვების დაავადებით; შეშუპებითი ს-ის მიზეზია გულ-სისხლძარღვთა, თირკმლების, ღვიძლის ზოგიერთი დაავადება, კვების უკმარისობა და სხვ.; ჰეპატო-ლიენალური (ღვიძლ-ელენთის) ს-ის დროს ღვიძლისა და ელენთის გადიდების მიზეზია ქრონ. ჰეპატიტი, ლევკოზი, ზოგიერთი სახის ანემია, ვისცერული ლეიშმანიოზი და სხვ. *ვ. ალადაშვილი.*

სინდური ენები, იხ. *აფხაზურ-ადიღური ენები.*

სინდები, ხალხი, პაკისტანის ისტორიული ოლქის სინდის ძირითადი მოსახლეობა. ცხოვრობენ აგრეთვე ინდოეთში. რაოდ. 12800 ათ. კაცზე მეტი (1978, შეფასება). ლაპარაკობენ სინდჰურ ენაზე. რელიგია — უმთავრესად ისლამი (სუნიტური), ინდოეთში — ძირითადად ინდუიზმი. ს. მდ. ინდის ხეობის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. მათ კულტურაზე გარკვეული გავლენა მოახდინეს დასაპყრობად შეჭრილმა ბერძნებმა, მაკედონელებმა, საკებმა, თეთრმა ჰუნებმა, არაბებმა, აგრეთვე ირანული, ავღანური, თურქული მოდგმისა და სხვ. ხალხებმა. უმრავლესობა მისდევს მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, თევზჭერას, ნაწილი მრეწველობაშია დასაქმებული.

სინდჰური ლიტერატურა, სინდის ოლქში (მდ. ინდის ქვემოწელი; პაკისტანი, ინდოეთი) მცხოვრები ხალხის — *სინდჰების* ლიტერატურა. უძველესი ძეგლი სინდჰური „მაჰაბჰარატა" (IX—X სს.) ცნობილია სპარს. და არაბ. თარგმანებით. მოღწეულია XIV ს. პოეტების თხზულებათა ფრაგმენტები. უწყვეტი პოეტური ტრადიცია იწყება ყაზი ყაზანის (გ. 1551) და შაჰ აბდულა ქარიმ ბულარის (1526—1623) შემოქმედებით. ამ უკანასკნელის პოეზიაში სრულყოფილად არის წარმოდგენილი სინდჰურ-მუსლიმური კულტურის სინთეზი. პოეტმა შაჰ აბდულა ლატიფ ბჰითაიმ (1689 ან 1690—1752) ხალხ. დასთანების საფუძველზე შექმნა „მეფის წიგნი". პოპულ. სიმღერების ავტორი იყო საჩალ სარმასტი (1739—1826). სანსკრ. და სპარს. პოეტიკის სინთეზს წარმოადგენს სამის (1743—1850) შემოქმედება. XIX ს. დასასრ. წარმოიშვა საგანმან. მოძრაობა, შეიქმნა პროზა (მირზა კალიჩ ბეგი, 1853—1929; კაუდომალ ჩანდანმალი, გ. 1916; დაიარამ გიდუმალი, 1857—1927; ლ. ამარდინომალი, გ. 1954 და სხვ.), დრამატურგია.

თანამედროვე ცნობილი პოეტები არიან ნარაიან შიამი, ანჩალი, რაჰი, გარადჰან მაჰბუბი (ინდოეთი), შეიხ აიაზი, მუჰამად ბახშ ვასიფი, აბდურ რაზაკ რაზი და სხვ. (პაკისტანი), პროზაიკოსები — რამ პანჯვანი, გობინდ მალხი, უტამი (ინდოეთი), ამარ ჯალილი, ტანვირ აბასი, ჯამალ აბრო, ანჯამ პალაი (პაკისტანი) და სხვ.

ლიტ.: Сухочев А. С., Литература Пакистана, წგნ.: Пакистан, М., 1966.

სინეკდოქე (ბერძნ. synekdochē — ეგულისხმობ), სტილისტური ფიგურა, ტროპი, მეტონიმიის ერთ-ერთი სახე. აქვს ორი ფორმალური ვარიანტი: მთელი იხსენიება ნაწილით („კერა" — სახლის მნიშვნელობით) და კრებადობა — ერთეულით („ვაზი" — ვენახის მნიშვნელობით). მეტაფორისგან განსხვავებით მნიშვნელობებს შორის კავშირი წარმოიქმნება რეალური სიახლოვისა და არა მსგავსების საფუძველზე. ს. დეტალის საშუალებით აღნიშნავს მოვლენას და მისი მსხვილი პლანით ჩვენების საშუალებას იძლევა. *მ. ნათაძე.*

სინეკლიზა (ბერძნ. syn — ერთად და enklisis — დახრა), *ბაქნის* ძირითადი, დიდ ფართობზე გავრცელებული ტექტონიკური სტრუქტურა, რ-საც ნაზად დახრილი სინკლინური ღრმულის სახე აქვს. ს. ყალიბდება დედამიწის ქერქის რეგიონული ჩაზნექით, რ-იც ნელა მიმდინარეობს და, ჩვეულებრივ, რამდენიმე გეოლ. პერიოდს მოიცავს.

სინეკურა (ლათ. sine cura — უზრუნველად), შემოსავლიანი საეკლესიო თანამდებობა შუა საუკუნეებში. არ მოითხოვდა არავითარ ვალდებულებებს და არც დანიშნულების ადგილზე იყო საჭირო ყოფნა. ს-ს ფართოდ გასცემდა პაპობა. სიტყვა „ს." ისეთი შემოსავლიანი თანამდებობის საზ. სახელად იქცა, რ-იც განსაკუთრებულ შრომას არ მოითხოვს.

სინელნიკოვო, ქალაქი უკრ. სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქში. სარკინიგზო კვანძი. სინელნიკოვოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები. სარეპარო, რკინაბეტონის კონსტრუქციების, ფაიფურის, ლითონსამეურნეო, სასურსათო საქონლის, საკონსერვო, რძის, პურის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა.

სინერგიდები, ჩვეულებრივ 2 უჯრედი, რ-ებიც კვერცხუჯრედსა და ანტიპოდებთან ერთად შედიან ფარულთესლოვან მცენარეთა *საჩანასახე პარკის* საკვერცხე აპარატის შემადგენლობაში. მცენარეთა უმეტესობის ს. იშლება ან განაყოფიერებამდე (სამტერე მილის საჩანასახე პარკში ჩაზრდისას), ან განაყოფიერების შემდეგ, ზოგიერთისა — დიდხანს რჩება და გარდაიქმნება *პაუსტორიებად.*

სინერგისტები (<ბერძნ. synergos — ერთად მოქმედნი) ანატომიასა და ფიზიოლოგიაში — კუნთები, რ-ებიც შეთანხმებულად მოქმედებენ და ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას. მაგ., ძუძუმწოვრებში დიაფრაგმისა და ნეკნთაშუა კუნთები ჩასუნთქვისას ერთდროულად იკუმშებიან. ზოგ შემთხვევაში კუნთები ს. არიან ერთი მოძრაობისას, მაგრამ სხვა მოძრაობის შესრულებისას მოქმედებენ როგორც *ანტაგონისტები.* ს-ის შეთანხმებული მოქმედება განპირობებულია ცენტრ. ნერვული სისტემის მოქმედებით. *ა. ქორელი.*

სინერვო (Sinervo) ელვი აულიკი (დ. 4. V. 1912, ჰელსინკი), ფინელი მწერალი ქალი. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947, 1949, 1951). ნოველების პირველი კრებ. „ლექსები სერნიაინენზე" 1937 გამოაქვეყნა. ავტორია რუ „ცეცხლმოდებული სოფლის მჭ ლი" (1939), ლექსების კრებულებისა „ღრუბლები" (1944), „ოჰ, შავფრთიანო ჩიტო" (1950), ნოველების კრებულისა „მთაში ასვლა" (1948), დრამისა „სამყარო კიდევ ახალგაზრდაა" (1952) და სხვ.

სინესთეზია (ბერძნ. synaisthēsis — თანაშეგრძნება) ფსიქოლოგიაში, ერთი მოდალობის შეგრძნების შესატყვისი გაღიზიანებით გამოწვეისას სხვა მოდალობის შეგრძნების აღმოცენება. ამ უკანასკნელს „მეორეულ შეგრძნებას" უწოდებენ. მაგ., ბგერის გამღიზიანებლით ბგერის შეგრძნების გარდა ფერის შეგრძნებაც გაჩნდება (ამ მოვლენას „ფერადი სმენა" ან ფონოფსია და ფოტიზმი ეწოდება) ანდა, პირიქით, ფერის შეგრძნებისას ბგერის შეგრძნებაც აღმოცენდება, რასაც ფონიზმი ეწოდება. ს. ახასიათებს ადამიანთა 12—16%-ს. უკანასკნელ ხანებში საზღვარგარეთ მრავალი ავტორი ს-ის ტერმინით აღნიშნავს საერთოდ განსხვავებულ მოდალობათა შეგრძნებების მონათესაობის ყოველგვარ გამოვლინებებს („ინტერმოდალურ საერთოობას"), როგორც მსგავსების სუბიექტურ განცდას („რბილი ტონები", „ცივი ან თბილი ფერები"...) და ერთი მოდალობის შეგრძნებით სხვა მოდალობის შეგრძნებაზე ზეგავლენას.

ლიტ.: ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1977, გვ. 107—140; უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 230—233; Кравков С. В., Взаимодействие органов чувств, М., 1948; Натадзе Р. Г., К вопросу о психологической природе интермодальной общности ощущений, «Вопросы психологии», 1979, № 6. *რ. ნათაძე.*

სინესტროლი, ქალის სასქესო ორგანოების ჰორმონული, ესტროგენული პრეპარატი; თეთრი, უსუნო, კრისტალური ფხვნილია. ცუდად იხსნება წყალსა და სპირტში. ზეთოვანი სითხის სახით (ამპულებში) იყენებენ ჰიპოგენიტალიზმის, ამენორეის, ჰიპო- და ოლიგომენორეის, კლიმაქტერიულ პერიოდში მკაფიოდ გამოხატული დარღვევების და სხვ. დროს.

სინთეზი (ბერძნ. synthesis — შეერთება, შეხამება, შედგენა), 1. მეცნიერული კვლევის მეთოდი — საგნის ან მოვლენის შესწავლა მის მთლიანობაში; შემეცნების პროცესში დაკავშირებულია *ანალიზთან*. 2. შეერთება, განზოგადება; 3. ქიმ. ნივთიერების მიღება მარტივ ნივთიერებათა ან ელემენტთა შეერთების გზით; 4. ლინგვ., ა) მანქანური თარგმნის ბოლო ეტაპი, როდესაც გამომუშავებული ინფორმაციის საფუძველზე თარგმანის ენაზე აიგება დედნის შესაბამისი ფრაზა. ბ) მათ. ლინგვისტიკაში, წესები, რ-ებზედაც დაყრდნობით სინთეზირებულია ტექსტი; გ) სპეც. აკუსტიკური მოწყობილობის საშუალებით სამეტყველო ბგერათა წარმოქმნის პროცესი.

სინთეზი, განსხვავებული მზარეების ან ელემენტების ერთ ობიექტად ან სისტემად გაერთიანება, რ-იც ხორციელდება როგორც ადამიანის პრაქტ. საქმიანობაში, ასევე შემეცნებაში. ს. ანალიზის საპირისპირო, მაგრამ მასთან დიალექტიკურად დაკავშირებული პროცესია. ისინი ერთმანეთს მოითხოვენ და ავსებენ. ს. სხვადასხვა ფორმით ვლინდება ადამიანის პრაქტ. და შემეცნებითს მოღვაწეობაში. პირველ შემთხვევაში იგი რეალური პროცესია, რ-იც გულისხმობს ელემენტებისაგან საგნის აგებას. მეორე შემთხვევაში იგი ლოგიკური ხერხია, რ-იც გულისხმობს ელემენტების აზრობრივ გაერთიანებას ერთ სისტემად. თანამედროვე მეცნიერებაში „ს-ის" ცნება სპეც. მნიშვნელობითაც იხმარება; იგი გაგებულია, როგორც მსჯელობის ისეთი პროცესი, რ-იც საშუალებას იძლევა ადრე დამტკიცებული დებულებებისაგან მივიღოთ დასამტკიცებელი დებულება. აქ მისი საპირისპიროა ანალიზი, რ-იც ნიშნავს დასამტკიცებელი დებულებისაგან უკვე დამტკიცებული დებულებების მიღებას. ს. ნიშნავს აგრეთვე სხვადასხვა თეორიების ან დისციპლინების გაერთიანებას, ინტეგრაციას, რაც დამახასიათებელია თანამედროვე მეცნიერებისათვის.

ლიტ.: ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; Мамардашвили М. К., Процессы анализа и синтеза, «Вопросы философии», 1958, № 2. *ვ. ერქომაიშვილი.*

სინთეზური აღრიცხვა, ეკონომიკურად ერთგვაროვანი სამეურნეო საშუალებების, მათი წყაროებისა და სამეურნეო პროცესების განზოგადებული ასახვა ფულადი გამოსახულებით. ხორციელდება საბუღალტრო აღრიცხვის სინთეზური ანგარიშების მეშვეობით, რ-თა ერთიანი გეგმა მტკიცდება ცენტრალიზებული წესით. ს. ა. იძლევა დაჯგუფებულ ცნობებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ. ს. ა-ის მასალები, როგორც კრებსითი აღრიცხვის მასალები, გამოიყენება ანგარიშგებათა შედგენისა და შემოწმებისათვის. საწარმოებში (გაერთიანებებში) ს. ა-ის დახმარებით განისაზღვრება ძირითადი საშუალებების, ნედლეულისა და მასალის არსებობა; წარმოების დანახარჯები, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა და ა. შ.

სინთეზური ენები, ისეთი ტიპის ენები, რ-ებშიც სიტყვათა შორის გრამატიკული მიმართებები გამოიხატება მორფოლოგიური ხერხებით, თვით სიტყვის ფარგლებში აფიქსებისა და ფუძის ფლექსიის საშუალებით. სინთეზურია ძვ. ბერძნ., ლათ., რუს., ქართ. და სხვა ენები. ქართ. ენაში სუბიექტი და ობიექტები (პირდაპირი, ირიბი) გარჩეულია ერთმანეთისაგან ბრუნვებითა და პირის ნიშნებით. მაგ., სტუდენტმა (S გამოხატულია მოთხრ. ბრუნვით) მეგობარს (ირიბი O გამოხატულია მიც. ბრუნვით) მისწერა წერილი (პირდაპირი O გამოხატულია სახ. ბრუნვით). მ-წერ-ს ის (S ზმნაში გამოხატულია -ს სუფიქსით) მე (ირიბი O ზმნაში გამოხატულია მ- პრეფიქსით) წერილს (პირდაპირი O ზმნაში გამოხატულია ნულოვანი მორფემით).

ს. ე-ში შეიძლება შეგვხვდეს **ანალიზური** ფორმაწარმოება (მაგ., კარგი — უფრო კარგი. შდრ. სინთეზური — უკეთესი). საკითხს წყვეტს ის, თუ რომელი ფორმები ჭარბობს ენაში. დროთა განმავლობაში შეიძლება ს. ე. ანალიზური გახდეს და პირუკუ.

ტერმინები „სინთეზური", „ანალიზური" პირველად გამოიყენა ენათა მორფოლ. კლასიფიკაციის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ა. შლეგელმა ფლექსიურ ინდოევრ. ენათა მიმართ. სინთეზური ან ანალიზური შეიძლება იყოს აგლუტინაციური ტიპის ენებიც.

ანალიზურსა და სინთეზურს უპირისპირდება პოლისინთეზური ენები, რ-თა სიტყვებშიც მაქს. რაოდენობის გრამატ. ელემენტებია თავმოყრილი. მაგ., პოლისინთეზურია აფხ. ენა. *თ. შარაძენიძე.*

სინთეზური თხევადი სათბობი, სინთეზით მიღებული წვადი სითხეები, რ-ებსაც იყენებენ შიდა წვის ძრავებში. ს. თ. ს-ს ღებულობენ ბუნებრივი აირებისაგან და ნახშირისაგან გამომუშავებული CO-ისა და H_2-ის ნარევისაგან. პროცესს ატარებენ მაღალი ტემპ-რისა და წნევის პირობებში Ni, Co, Fe და სხვ. კატალიზატორების თანაობისას (ფიშერისა და ტროფშის მეთოდი). ს. თ. ს. შეიცავს უმთავრესად ნორმალური აგებულების პარაფინულ და ოლეფინურ ნახშირწყალბადებს, რ-თა რაოდენობას განაპირობებს მისი მიღების პირობები. პირველად ს. თ. ს-ს მნიშვნელოვანი რაოდენობით აწარმოებდნენ გერმანიაში II მსოფლიო ომის დროს, რაც გამოწვეული იყო ნავთობის უკმარისობით. ს. თ. ს-ის წარმოება CO-ისა და H_2-გან ფართოდ ვერ გავრცელდა, რადგან ამ გზით მიღებული სათბობი ძვირად ღირებული იყო.

სინთეზური კრისტალები, ლაბორატორიული ან ქარხნული წესით გაზრდილი კრისტალები. ს. კ-ის უმრავლესობას (რამდენიმე ასეული ათ.) ორგ. ნივთიერება შეადგენს; არაორგ. ნივთიერება — დაახლ. 10 ათ. ბუნებაში არსებული 3000 მინერალის კრისტალთაგან ხელოვნურად მხოლოდ რამდენიმე ასეულის გაზრდა ხერხდება. ს. კ-ის წარმოება განსაკუთრებით განვითარდა II მსოფლიო ომის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ტექ. ინტენსიურად განვითარებადი დარგების — რადიოელექტრონიკის, კვანტური ელექტრონიკის, არაწრფივი ოპტიკის და სხვ. — მოთხოვნით. შეიქმნა წინასწარდასახული ფიზ. თვისებების მქონე მრავალი ქიმ. ნაერთი, რ-ებსაც არ გააჩნია ბუნებრივი ანალოგი. მათ განეკუთვნება: *ნახევრად გამტარები,* პიეზოელექტრული კრისტალები (*სეგნეტის მარილი,* KH_2PO_4, $LiNbO_3$ და სხვ.), ლაზერებში გამოყენებული კრისტალები [$Y_3Al_5O_{12}$, $Y_2(MoO_4)_3$, $YAlO_3$ და სხვ.] და სხვ. მინერალთა ს. კ-ის მიღების მეთოდების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ბუნებრივ მინერალთა წარმოქმნის თავისებურებათა გარკვევისათვის, მეორე მხრივ, განსაკუთრებული თვისებების (პიეზოელექტრობა, ნახევრადგამტარობა, დიდი სიმაგრე და სხვ.) მქონე დიდი ზომის ქიმიურად სუფთა ბუნებრივი *მონოკრისტალების* იშვიათობისა და მათი საბადოების მარაგის შეზღუდულობის გამო. ამათგან აღსანიშნავია: *კვარცი, კორუნდი* (განსაკუთრებით მისი გამჭვირვალე, შეფერილი სახესხვაობები), *კალციტი* და სხვ. ს. კ-ის წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნებრივი *ძვირფასი და სანახელაო ქვების* სინთეზურ ანალოგებსა და იმიტაციებს: მათ განეკუთვნება: 1. მინერალთა ბუნებრივი ფერის ს. კ. (*იაგუნდი, საფირონი, ალმასი, ზურმუხტი* და სხვ.); 2. მინერალთა ს. კ., რ-ებსაც აქვს ბუნებაში უცნობი შეფერილობა (მაგ., ტოპაზის ფერის კორუნდი, ცისფერი გრანატი); 3. ბუნებაში უცნობი ქიმ. ნაერთების ს. კ., რ-ებსაც მათი თვისებების (მაღალი სინათლის გარდატეხის მაჩვენებელი, დიდი სიმაგრე, ლამაზი შეფერილობა) გამო იყენებენ ძვირფასი ქვების (ზურმუხტი, ტოპაზი, ალმასი და სხვ.) იმიტაციად (ალუმინიტრიუმიანი გრანატები — გრანატები, *ფიანიტები* და სხვ.). მრავალრიცხოვან ორგ. ნაერთებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს *ნაფთალინის,* კალიუმის ბიფტალატის ($C_8H_5O_4K$), სტილბენის, ტოლანის, *ანთრაცენის* და სხვ. ს. კ-ს, რ-ებსაც იყენებენ სცინტილაციურ მოწყობილობებში.

ლიტ.: Ахметов С. Ф., Искусственные кристаллы граната, М., 1982; Балицкий В. С., Лисицына Е. Е., Синтетические аналоги и имитации природных драгоценных камней, М., 1981.

სინი, შუმერული მთვარის ღვთაება, „ცისა და მიწის ნათელი". მისი კოსმოსური ტიტული იყო: „უფალი ღმერთებისა, მეფე ცისა და მიწის ღმერთებისა, ღმერთი ღმერთებისა", მფარველობდა მესაქონლეებს, მის ტაძარს ქ. ურში (ს-ის კულტის ადგილი) „ფურმრავალ ფართო ბოსელს" უწოდებდნენ (რ-იც „ხარივით ბუბუნებდა მის სადიდებლად"). შედიოდა შუმერული პანთეონის მეორე ტრიადაში: ს., შამაში და იშთარი. ს-ის წმინდა ცხოველებია ფური, კურო და ხბო, საკრალური რიცხვი — 30.

სინიაკი (Signac) პოლ (11. XI. 1863, პარიზი, — 15. VIII. 1935, იქვე), ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი. სწავლობდა პარიზში, ბინგის თავისუფალ სახელოსნოში. 1886 ჟ. სერასა და კ. პისაროს მეშვეობით გაეცნო *ნეოიმპრესიონიზმს* (შემდგომში ამ მიმდინარეობის წამყვანი მხატვარი და თეორეტიკოსი). ს. თავის ნაწარმოებებში ახორციელებდა ჟ. სერას დოქტრინას (ფერთა დაშლა შემადგენელ ნაწილებად). ს-ს „მოდერნის" წინამორბედად მიიჩნევენ (ფ. ფენეონის პორტრეტი, 1890, კერძო კუთვნილება, ნიუ-იორკი). ს. ხატავდა ძირითადად ზღვის პეიზაჟებს („მარსელის პორტი", 1911, თანამედროვე ხელოვნ. ეროვნ. მუზეუმი, პარიზი). იყო „დამოუკიდებელთა სალონის" შექმნის (1884) ერთ-ერთი ორგანიზატორი. აქტ. საზ. მოღვაწე. 30-იან წლებში იყო სსრკ-ში.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 337.

სინიანი, ქალაქი ჩინეთში, ხენანის პროვინციაში, მდ. შიხეს ნაპირზე. 100,3 ათ. მცხ. (1977). რკინის მადნის მოპოვების ერთ-ერთი ცენტრი. კვების მრეწვ. საწარმოები.

სინიიჯუ, ქალაქი კორ. სდრ-ში, მდ. ამნოკანის (იალუძიანი) ნაპირზე. ფხიონანპუქტოს პროვ. ადმ. ცენტრი. 150 ათ-ზე მეტი მცხ. სატრანსპ. კვანძი. საზღვ. ნავსადგური ყვითელი ზღვის სანაპიროზე. მსუბუქი მრეწვ. დიდი ცენტრი. მანქანათაშ., ქიმ., ხე-ტყის სახერხი, ცელულოზა-ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობა. მომინანქრებული ჭურჭლის ქ-ნა. ს-ს მახლობლად არის მძიმე მანქანათშშ. ქ-ნები.

სინინი, ქალაქი ჩინეთში, მდ. დათუნხეს ნაპირზე. ცინხაის პროვ. ადმ. ცენტრი. 500 ათ-ზე მეტი მცხ. (1981). რკინიგზის ტოტით უკავშირდება ლუნხაის რკინიგზას. მეტალ., მანქანათაშ., ქიმ. მრეწვ. საწარმოები. მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავება. თესი. ს-ის ჩრდ.-

დას-ით — დათუნის ქვანახშირის მაღაროები.

სინიორე (Signoret; ნამდვ. გვარი კამინკერი, Kaminker) სიმონ (დ. 25. III. 1921), ფრანგი მსახიობი ქალი. სწავლობდა ს. სიკარის დრამ. კურსებზე. კინოში იღებენ 1941-იდან. საუკეთესო როლები: მარი („ოქროს მუზარადი", 1952), ტერეზა რაკენი („ტერეზა რაკენი", ე. ზოლას მიხედვით, 1953), ელიზაბეთ პროქტორი („სალემელი ჯადოქრები", ა. მილერის მიხედვით, 1957), ელისი („გზა მაღალი საზოგადოებისაკენ", 1958), არკადინა („თოლია", ჩეხოვის მიხედვით, 1968) და სხვ.

სინიორელი (Signorelli) ლუკა (დაახლ. 1445—50, კორტონა, უმბრიის პრო., —16. X. 1523, იქვე), იტალიელი ფერმწერი. პიერო დელა ფრანჩესკას მოწაფე. ს-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა მასშტაბური, კომპოზიციებისაკენ, ადამიანის სხეულის გამოსახვა რთულ რაკურსებში და სიუჟეტის პერსპექტიული აგება. მის ქმნილებებში იგრძნობა ძლიერი პათეტიკა და ვნებათა ღელვა; ამით ს. მიქელანჯელოს უშუალო წინამორბედად გვევლინება. ნამუშევრებიდან გამოირჩევა ფრესკები სიქსტეს კაპელაში (ვატიკანი, 1481—83), მონტეოლივეტო მაჯორეს მონასტერში (ტოსკანა, 1497) და სხვ. ს-ს დაზგური ნიმუშების დიდი ნაწილი დაცულია პერუჯის, ფლორენციისა და მიუნხენის მუზეუმებში.

სინიორინი (Signorini) ტელემაკო (18. VIII. 1835, ფლორენცია,— 10. II. 1901, იქვე), იტალიელი ფერმწერი და გრაფიკოსი. *მაკიაიოლის* ლიდერი. სწავლობდა ფლორენციაში, სამხატვრო აკადემიასთან არსებულ სკოლაში. ჯ. *მაძინის* რევ. წრის წევრი (1853-იდან) და ჯ. *გარიბალდის* ავჯანყების მონაწილე (1859). ს-ს ფერწერული ტილოები ასახავენ მხატვრის თანამედროვე ცხოვრებას, ბრძოლათა epizodებს, სცენებს ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან, ქალაქისა და სოფლის პეიზაჟებს, ჟანრულ კომპოზიციებს. ახასიათებდა წერის თავისუფალი, ემოციური მანერა („სან-ბონიფაციოს საგიჟეთი", 1865, თანამედროვე ხელოვნ. ეროვნ. გალერეა, რომი).

სინირხვა, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (ჯირხვის სოფსაბჭო), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთზე. ზ. დ. 100 *მ*, გუდაუთიდან 18 *კმ*, ზვანდრიფშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. ვ. ხარაზიას სახ. ჯირხვის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი.

სინის ყთა, ძვ. ქართული მწიგნობრობის კერა საზღვარგარეთ. მდებარეობს არაბ. ნ.-კ-ის დას-ით, *სინის ნახევარკუნძულის* სამხრ. სექტორში. ს. მ-ის ეკატერინეს მონასტერში (ზღვის დონიდან 1528 *მ*, დაარსებულია IV ს-ში) უძველესი დროიდან მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, ქართველები და სხვ. იქ დაცულია ბიზანტ. ხელოვნ. უმდიდრესი კოლექცია. მონასტერში შექმნილი უძველესი ქრისტ. ხატები (VI ს.) შესრულების ტექნიკითა და გამომსახველობით ენათესავება *ფაიუმურ პორტრეტებს*. თითო-ოროლა ქართველი ს. მ-ზე VI ს-იდან ცხოვრობდა, ქართ. სათვისტომო კი IX ს-ში დაარსდა. X ს-ში არაბთა ძალმომრეობით შეწუხებულმა და პალესტინის სავანეებიდან (საბაწმიდა, პალავრა და სხვ.) იქ გადახვეწილმა ქართვ. ბერებმა ს. მ-ზე მწერლობის მძლავრი კერა შექმნეს. ისინი არსებითად პალესტინის ქართ. კულტ. ტრადიციებს აგრძელებდნენ. იქ საქმიანობდნენ მწიგნობრები, პოეტები, კალიგრაფები, წიგნთა მმოსველები (*ფოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე*, იოანე კუმურდოელი, მიქაელ კათამონელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულეანისძე და სხვ.). მათი ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნსაცავი, რ-იც ნათლად წარმოაჩენს იქაურ ქართველთა მრავალფეროვან ლიტ. ინტერესებს. X ს-ში მათ ჰქონდათ არა მხოლოდ ბ-კა, არამედ სამკითხველო დარბაზი და სპეც. კატალოგიც. ს. მ-ის ქართ. ხელნაწერებიდან ზოგი დღესაც იქ არის დაცული, ზოგი კი თბილ., ლენინგრ., პრაღის, გრაცის, აშშ-ისა და სხვ. ბ-კებში ინახება.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980.

ლ. მენაბდე.

სინის ნახევარკუნძული, ნახევარკუნძული აზიის დას. ნაწილში, წითელი ზღვის სუეცისა და აკაბის ყურეებს შორის. ეგვ. ტერიტ. ნაწილი. ფართ. დაახლ. 25 ათ. *კმ*². სამხრ. ნაწილში გრანიტებით, გნაისებითა და კრისტ. ფიქლებით აგებული მთებია (სიმაღლე 2637 *მ*-მდე). ჩრდ-ით ზედაპირი დაბლდება 500—1000 *მ*-მდე. ჭარბობს ძლიერ დანაწევრებული ქვიანი პლატოები. სუეცის ყურის გასწვრივ ვიწრო ქვიშიანი დაბლობია. ს. ნ-ზე არის ნავთობისა და მანგანუმის საბადოები. ჰავა გარდამავალია სუბტროპიკულიდან ტროპიკულისაკენ. ნალექები 50 *მმ*-ზე ნაკლები წელიწადში. ხარობს უდაბნოს მცენარეულობა. მომთაბარე მესაქონლეობა. ოაზისებში ფინიკის პალმა, ქერი, სიმინდი.

სინიჩენკო ოლექსა პანტელეიმონის ძე (დ. 16. X. 1931, სოფ. ბილოზირი, ჩერკასის რ-ნი), უკრაინელი საბჭ. მწერალი და მთარგმნელი. სკკპ წევრი 1963-იდან. დაამთავრა კიევის უნ-ტის რომანული ფილოლ. ფაკ-ტი (1955). მუშაობდა გამომცემლობა „დნიპროში" (1955—72). თარგმნა ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, დ. შენგელაიას, ო. იოსელიანის მოთხრობები; კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი", ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე", „ნუ გეშინია, დედა!", გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადი", მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი", აქვს წერილები ქართ.-უკრ. ლიტ. ურთიერთობებზე. *ო. ბაქანიძე.*

სინიხ-ყალა, ხუროთმოძღვრული ძეგლი ბაქოში, მინარეთი. აშენებულია 1078/79. სიმაღლე 22,5 *მ*. ს.-ყ. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდ. და მნიშვნელოვანი ძეგლია ამ ტიპის ნაგებობათა შორის აზერბაიჯანში.

სინკლერი (Sinclair) აპტონ ბილ (20. IX. 1878, ბალტიმორი, მერილენდის შტ., — 25. XI. 1968, ბაუნდ-ბრუკი, ნიუ-ჯერსის შტ.), ამერიკელი მწერალი. კრიტ. რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, აშშ-ის ლიტ-რაში დოკუმენტური რომანის შემქმნელი და სოციალ. რეალიზმის უშუალო წინამორბედი. ს-ის ცნობილი რომანებია „გაზაფხული და მკა" (1901, შემდგომი გამოცემა „მეფე მიდასი"), „ართურ სტერლინგის დღიური" (1903), „ჯუნგლები" (1905), „მეფე ქვანახშირი" (1917), „ჯიმი ჰიგინზი" (1917), „100%. პატრიოტის ამბავი" (1920) და სხვ. ეკუთვნის პუბლიც. წიგნების სერია „მკვდარი ხელი" (1918—25), რომანების 11-ტომიანი სერია ლენი ბადის შესახებ (1940—53), მრავალი პუბლიც. ნაშრომი და სხვ.

სინკლინი (<ბერძნ. synklinō — დაბლა ვიხრები), ქანების შრეთა ნაოჭი, რ-იც ჩაზნექილია და, რ-ის ფრთები ერთმანეთის შემხვედრი მიმართულებითაა დაქანებული. ს-ის გულში უფრო ახალგაზრდა ქანებია, ვიდრე ფრთებში. ს-ის შებრუნებული ნაოჭია *ანტიკლინი*.

სინკლინორიუმი (ბერძნ. synklinō — დაბლა ვიხრები და oros — მთა), დედამიწის ქერქის შრეთა ნაოჭების დიდი და რთული აგებულების კომპლექსი, რ-საც ახასიათებს საერთო დადაბლება ცენტრისაკენ. ზოგადად ს. თითქოს დიდი სინკლინია, რ-ის ფრთები გართულებულია შედარებით მცირე ნაოჭებით. ს-ის სიგრძე ასეულ *კმ*, სიგანე კი ათეულ *კმ* აღწევს. ჩვეულებრივ წარმოიქმნება გეოსინკლინებში. ს-ის შებრუნებული სტრუქტურაა *ანტიკლინორიუმი*.

სინკლიტი (ბერძნ. synklētos — მოწვეული საბჭო), 1. დიდებულთა კრება (საბჭო) ძვ. საბერძნეთში. 2. გადატანითი მნიშვნელობით, ჩვეულებრივ ირონიულად — სრული თავყრილობა, სრული შემადგენლობა.

სინკოპე (ბერძნ. sinkopē, სიტყვასიტყვით — ჩამოთლა, შეკუმშვა), 1. მუსიკაში — მუსიკალური მახვილის გადანაცვლება ტაქტის ძლიერი ნაწილებიდან სუსტზე. 2. ენათმეცნიერებაში — ა) სიტყვიდან ხმოვანი ბგერის ამოგდება.

„ჩამოსულა მარტოობის ღრუბლი,
არც შეხვედრა, არც ნაცნობის ნახვა".
(გ. ტაბიძე, „ერთხელ საღამოთი")

ბ) მახვილის გადაადგილება ტერფის ძლიერი ადგილიდან სუსტ ადგილზე (მაგ., გ. ტაბიძის ლექსში „ატმის რტოო, დაღალულო რტოო"), რ-იც ქორეულ საზომს ემყარება და დროდადრო მეტრული სქემის თვალსაზრისით მეორე პეონებს გამოყოფს;

„ქარი კრავის, ქარი კრავის,
კრავის ნაპრალებზე გადაჰმსხვრა ნარგი".

სინოდი (ბერძნ. synodos — კრება), უმაღლეს სასულიერო პირთა კრება მთელ რიგ მართლმადიდებლურსა და პროტესტანტულ ეკლესიებში; რუს. მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო (XVIII ს. დასაწყ. — XX ს. დასაწყ.). 1917 შემდეგ მოსკ. და სრულიად რუს. პატრიარქის სათათბირო ორგანო. რუსეთში ს. 1721 შეიქმნა გაუქმებული საპატრიარქოს ნაცვლად და მთელ საეკლ. ცხოვრებას განაგებდა. ს. უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ოჯახური სამართლის ზოგიერთ საკითხშიც (ნათესავთა შორის ქორწინება, განქორწინება). ს-ის წევრებს იმპერატორი ნიშნავდა. ს-ის საქმიანობას აკონტროლებდა ობერ-პროკურორი — საერო პირი, სამხ. ან სამოქალაქო მოხელე. საბჭ. სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი დეკრეტით ს., როგორც სახელმწ. ორგანო გაუქმდა. 1917 რუს. მართლმადიდებლურ ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენის შემდეგ ს. როგორც საეკლ. ორგანო, აღდგა.

1917 საქართვ. მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად დაარსდა ს-ც.

1960-იან წლებში კათოლ. ეკლესიაში შეიქმნა ეპისკოპოსთა ს., რ-საც პატრიარქი მეთაურობს. ს. მოქმედებს აგრეთვე ვატიკანთან უნიაში მყოფ ზოგიერთ, მაგ., კოპტურ (ეგვიპტე), სომხურ (ლიბანი), ქალდეველთა (ირანი) და სხვ. ეკლესიაში.


სინოდური თვე (<ბერძნ. synodos — შეერთება, დაახლოება), დროის შუალედი ორ ერთნაირ *მთვარის ფაზას* (მაგ., ორ ახალმთვარეობას) შორის. ს. მ-ის ხანგრძლივობა იცვლება 13 *სთ* ფარგლებში. საშ. სიდიდეა 29,530588 საშ. მზიური *დღ-ღ*.

სინოდური პერიოდი, დროის შუალედი მზის მიმართ ერთსა და იმავე მდებარეობაში (დედამიწიდან დაკვირვების დროს) ამა თუ იმ პლანეტის ორ თანამიმდევრულ გავლას შორის მზის ირგვლივ გარემოქცევისას. მაგ., ვენერასათვის ან მერკურისთვის მათ ერთნაირ ფაზებს შორის დრო წარმოადგენს პლანეტების *კონფიგურაციების* გამეორების პერიოდს. იხ. აგრეთვე *სიდერული პერიოდი*.


სინოიკიზმი (ბერძნ. synoikismos<synoikizō — ერთად დავასახლებ), დამოუკიდებელი დასახლებების ან ქალაქების ერთიან პოლისად გაერთიანების პროცესი ძვ. საბერძნეთში. ს-ის შედეგად ისპობოდა ტომობრივი განკერძოება, იქმნებოდა ცენტრ. მმართველობის ორგანოები და ერთიანი ეკონ. საფუძველი. იზრდებოდა



ა. სინკლერი.



სინკლინი. ვერტიკალური ჭრილი.



სინკლინორიუმი. ვერტიკალური ჭრილი (სქემა).

დაჭუცმაცებული ტომებისა და თემების სამხ. ძლიერება. ცნობილია ათენის ირგვლივ ატიკის ცალკეული თემების გაერთიანება — ს., რ-საც ტრადიცია მეფე თესევსს (დაახლ. ძვ. წ. XIII ს.) მიაწერს, სინამდვილეში ს. ხანგრძლივი პროცესი იყო და მთელი IX—VIII სს. მანძილზე მიმდინარეობდა.

სინოლოგია (გვიანდ. ლათ. Sina — ჩინეთი და ... ლოგია), ჩ ი ნ ე თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა, მეცნიერებათა კომპლექსი, რ-იც შეისწავლის ჩინეთის ისტორიას, ეკონომიკას, პოლიტიკას, ფილოსოფიას, ენას, ლიტ-რას, კულტურას.

ლიტ.: К о в а л е в Е. Ф., Изучение Китая в Советском Союзе, «Советское востоковедение», 1955, № 3; М я с н и к о в В. С., Становление и развитие отечественного китаеведения, «Проблемы Дальнего Востока», 1974, № 2.

სინონიმები [ბერძნ. synōnymos (მხ. რ.)], მნიშვნელობით, ე. ი. საგნობრივი მიმართების მიხედვით ერთგვარი სიტყვები. ს. ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ ემოციური ელფერით (მაგ., „მაღალი" — „ახოვანი" — „აყლაყუდა"), შეხამებულობით (მაგ., „მინა" ჟოველთვის არ გამოიყენება „შუშა" სიტყვის ადგილას; შდრ. „ლამპის შუშა"), ხმარების მეტ-ნაკლები სიხშირით (შდრ. „ჩიბუხი" — „ყალიონი"), ხმარების სფეროს მიხედვით (მაგ., „მალარია" — „ცივება") და სხვ. თუ ს. ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან, მათ დ უ ბ ლ ე ტ ებ ს უწოდებენ (მაგ., „ხუროთმოძღვრება"—„არქიტექტურა"). ს. ჩნდება ენაში ერთგვარი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა თავმოყრით (მაგ. „ბატკანი" — „კრავი", ნაირენოვანი „ადვოკატი" — „ვექილი") ან მნიშვნელობის ცვლით (მაგ., მეტაფორულად ნახმარი „დედაბოძი" და „ქვაკუთხედი" ამჟამად ს-ია). ს-ის თავმოყრისას ენაში შეინიშნება მათი თავიდან აცილების ტენდენცია — ერთ-ერთი იკარგება (მაგ., „ასანთი" — „წუმწუმა") ან მნიშვნელობას იცვლის (მაგ., ადრე „დედანიცა" და „ასლიც" „ორიგინალს" ნიშნავდა, ამჟამად „ასლი" „პირს" ნიშნავს). *ბ. ფოჩხუა.*

სინოპი (Sinop), ქალაქი ჩრდ. თურქეთში, სინოპის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 18,4 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური შავი ზღვის სინოპის ყურის ნაპირზე. კვებისა და ხე-ტყის სახერხი მრეწველობა. სელის ქსოვილების ხელოსნური წარმოება. თევზჭერა.

ძვ. ქალაქის სინოპეს (ბერძნ. Sinōpē) მიდამოები ადრინდ. ხანიდანვე იყო დასახლებული. ამ ხელსაყრელ ნავსადგურს ძვ. ბერძნები ჯერ კიდევ მიკენის ხანაში გაეცნენ, მაგრამ დასახლდნენ აქ მხოლოდ ძვ. წ. VIII ს-ში. მილეტელმა მოახალშენეებმა დააარსეს კოლონია, რ-იც მალე შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრად იქცა. ს. ძვ. ბერძნ. კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრიც იყო. ს. დიოგენეს სამშობლოა და ერთ-ერთი იმ შვიდ ქალაქთაგანი, რ-იც ჰომეროსის სამშობლოობას ჩემობდა. ს-ში ძვ. წ. VI ს-იდან იწყება საკუთარი მონეტის მოჭრა, აქედან გაპქონდათ ხეტყე, ხალიბური რკინა, წითელი საღებავი, ე. წ. სინოპური მიწა, ზეითუნის ზეთი, ღვინო და სხვ. ს-ის ძალაუფლება სწვდებოდა ერცელ ტერიტორიას, სადაც ისტ. საქართვ. ტომები — მოსინიკები, ხალიბები და კოლხები სახლობდნენ. სწორედ მათ მიწებზე შეიქმნა ს-ის კოლონიები— კოტიორა, კერასუნტი და ტრაპეზუნტი. საქართველოში აღმოჩენილია ს-ის მონეტები, ამფორები, კრამიტი და სხვ. ძვ. წ. VI—IV სს-ში ს. ნომინალურად ემორჩილებოდა აქემენიდებს. ძვ. წ. 183-იდან პონტოს სამეფოში შედიოდა. ავგუსტუსის დროიდან რომის პროვინცია ბითინიის და პონტოს შემადგენლობაში მოექცა. შემდეგ ბიზანტია დაეპატრონა. 1214—1307 ს. კონიის სასულთნოში შედიოდა. XIV ს. ბოლოს თურქ-ოსმალებმა დაიკავეს. ს-ის სისტემ. არქეოლ. გათხრები 1951-იდან წარმოებს.

სინოპის ბრძოლა 1853, საზღვაო ბრძოლა 18 (30) ნოემბერს რუსეთისა და ოსმალეთის ესკადრებს შორის სინოპის ყურეში, ყირიმის ომის (1853—56) დროს. ოსმ. ესკადრას (სარდალი ოსმან-ფაშა) განზრახული ჰქონდა გადაესვა დიდი დესანტი სოხუმ-კალეს რ-ნში. შავი ზღვის რუს. ესკადრის (სარდალი ვიცე-ადმ. პ. ნახიმოვი) მიზანი იყო მოწინააღმდეგის აქტ. მოქმედების დაბრკოლება. 8 (20) ნოემბ. მან სინოპის ყურეში მიიმწყვდია და საარტ. ცეცხლით გაანადგურა ოსმ. ხომალდები (გარდა გემ „თაიფისა", რ-მაც გაქცევით უშველა თავს) და სანაპირო ბატარეების უმრავლესობა. ს. ბ-ში ოსმალებმა დაკარგეს 3000 კაცზე მეტი, დაახლ. 200 კაცი, მ. შ. ოსმან-ფაშა, ტყვედ ჩავარდა

სინოპტიკური მეტეოროლოგია (<ბერძნ. synoptikos — ყველაფრის მიმომხილველი), მეტეოროლოგიის დარგი, რ-იც იკვლევს ამინდის განმსაზღვრელ ატმოსფერულ პროცესებს და მათ ცვალებადობას *ამინდის პროგნოზის* მეთოდების დამუშავების მიზნით. შეისწავლის იმ ატმ. პროცესებს, რ-ებიც ვითარდება ერცელ ტერიტორიებზე და *ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის* ცალკეულ რგოლებს წარმოადგენს. ს. მ-ის ძირითადი სამუშაო მეთოდია ატმ. პროცესებისა და მათთან დაკავშირებული ამინდის პირობების განვითარების ერთდროული სივრცითი ანალიზი *ამინდის რუკების* საშუალებით, რაც თავის მხრივ ჰაერის მასების, *ატმოსფერული ფრონტების, ციკლონების, ანტიციკლონებისა* და სხვ. სტრუქტურის, ევოლუციისა და მორფოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. ამინდის პროგნოზისათვის იყენებენ აგრეთვე ატმ. ვერტ. ჭრილებს, ღრუბლების ფოტოსურათებს, აეროლოგიურ დიაგრამებს და სხვ.; ჰიდროდინამ. თეორიის საფუძველზე ფართოდ ინერგება ამინდის პროგნოზის რიცხვითი მეთოდები.

ლიტ.: З в е р е в А. С., Синоптическая метеорология, 2 изд., Л., 1977.

სინოპტიკური რუკა, იხ. *ამინდის რუკა.*

სინსინატი, ქალაქი ჩინეთში, ხენანის პროვინციაში, მდ. ვეიხეს ნაპირზე. 250 ათ. მცხ. (1977). რკინიგზის სადგური. საფქვავი, ზეთსახდელი, სპირტ-არაყის, თამბაქოს, ბამბეულის, ლითონდასამუშ. მრეწველობა.

სინტაგმა (ბერძნ. syntagma), შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა, ორი ან მეტი ენობრივი ერთეულის შეხამება მეტყველების ნაკადში. რამდენადაც მეტყველება სმენით აღიქმება, იგი დროში განფენილობით ხასიათდება. ამიტომ მეტყველების ნაკადში ერთმანეთს შეეხამება ერთმანეთის მომდევნო ერთეულები. ჩვეულებრივ ს-ებს ქმნიან სიტყვათა შეხამებები (შესიტყვებები): „სახლის+წინ", „ქვითკირის+სახლი", „მაღალი+სახლი", „სახლში+შევიდა", „სახლი+დაინგრა"... მათ გ ა რ ე გ ა ნ ს-ს უწოდებენ; მაგრამ შეიძლება ს-ს ქმნიდნენ ისეთი ენობრივი ერთეულები, რ-ებიც სიტყვაზე მოკლეა: „გადა + სახლება", „სახლ+ეული", „სახლ+კარი", „სახლ+ +მმართველობა"... ამ შემთხვევაში შ ი ნ ა გ ა ნ ს-ზე ლაპარაკობენ. ს. შეიძლება შედგებოდეს სიტყვაზე უფრო გრძელი ერთეულებისაგანაც: „მაღლობზე დგას+ორსართულიანი ქვითკირის სახლი". *ბ. ფოჩხუა.*

სინტაგმატიკა, მოძღვრება მეტყველების ნაკადის სინტაგმებად დაყოფის შესახებ; იკვლევს იმას, თუ ერთი ტიპის ენობრივ ერთეულთა შორის (მაგ., სიტყვათა, აგრეთვე ფონემათა, მორფემათა და სხვ. შორის) რომელი ერთეულების მეზობლობა არის დასაშვები ამა თუ იმ ენაში და რომლებისა არა.

სინტაქსი (ბერძნ. syntaxis — თანადება, თანაწყობა, დაკავშირება), *გრამატიკის* დარგი, რ-იც შეისწავლის შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს აგებულებას (სტრუქტურას). მორფოლოგიასთან ერთად ს. ენის სტრუქტურას განსაზღვრავს. შესიტყვებაში ერთმანეთს შეიძლება შეეხამოს ორი ან მეტი სიტყვა: სახელი — სახელს („ახალი სახლი" — მსაზღვრელ-საზღვრული — ატრიბუტული კომპლექსი), ზმნა — სახელს თუ სახელებს (ქვემდებარე, დამატება...— შემასმენელს): „მთვარე ანათებს"; „გზა სიარულმა დალია"—პრედიკატული კომპლექსი და ა. შ. პრედიკატული კომპლექსი ქმნის წინადადებას, ატრიბუტული— წინადადების ნაწილს (ქვემდებარეს თუ დამატებას ამხსნელ სიტყვებთან ერთად).

სიტყვათა სინტაქსური დაკავშირების სახეებია *შეთანხმება, მართვა* (ცალმხრივი, საურთიერთო), *მირთმევა.* შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა გვექნება, თუ დამოკიდებული სიტყვა იმ ფორმას იმეორებს, რაც მთავარ სიტყვას (დომინანტს) აქვს: „ახალი სახლი" — „ახალი" მხ. რიცხვის სახელობითშია იმიტომ, რომ „სახლი" მხ. სახელობითშია მოცემული, — გვაქვს შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში. შდრ. „ახალი სახლები", სადაც მსაზღვრელი „ახალი" ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს, რიცხვში — არა (ძვ. ქართულში შეიძლებოდა გვქონოდა შეთანხმება რიცხვშიც „ახალნი სახლნი"). მ ა რ თ ვ ა გვექნება, თუ დამოკიდებული სიტყვა მოცემულია ისეთი ფორმით, რაც მთავარ სიტყვას (დომინანტს) ან ამ კონტექსტში არა აქვს, ანდა საერთოდ არ მოეპოვება: „სახლის საძირკველი" — „საძირკველი სახლისა"—დამოკიდებული სიტყვა ნათესაობითშია, მთავარი (დომინანტი) — სახელობითში. „სახლს აშენებენ", „სახლი ააშენეს" — ზმნაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ბრუნვაში დაისმის სახელი, თუმცა ზმნას ბრუნება არა აქვს: ე. ი. ზმნა მართავს სახელს. მ ი რ თ ვ ა სინტაქსური დამოკიდებულების ნოლ ფორმას წარმოადგენს: „მოვიდა გუშინ", „გუშინ" ზმნისართია, არც იბრუნვის, არც იუღლება, ზმნასთან მას მხოლოდ მნიშვნელობა აკავშირებს. ზმნისართი მიერთვის ზმნას.

რაც უფრო რთული მორფოლოგია აქვს ენას, მით უფრო რთული ექნება სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობაც. ზმნა ჩვეულებრივ იცვლება სუბიექტის პირის მიხედვით. ქართულში კი ზმნა შეიძლება იცვლებოდეს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის პირთა მიხედვით; სუბიექტურ-ობიექტური (ორპირიანი) უღვლილება ქმნის სპეციფ. რთულ სინტაქსურ ურთიერთობას ზმნასა და სახელებს შორის: ერთი მხრივ, ზმნა მართავს სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს; თავის მხრივ, სუბიექტი და ობიექტი განსაზღვრავენ ზმნის პირებს: „დედამ შვილი გაზარდა", „დედა შვილს ზრდის" (საურთიერთო მართვა ანუ კოორდინაცია).

დროთა ვითარებაში ენის მორფოლოგიამ შეიძლება ცვლილება განიცადოს; ეს ს-შიც აისახება; ძვ. ქართულში გვქონდა: წერილნი დავწერენ მე, დაწერენ შენ, დაწერნა მან... დავწერენით ჩუენ, დაწერენით თქუენ, დაწერნეს მათ; ნ-იან სახელობითს ზმნა მაშინაც ეთანხმებოდა თუ ობიექტი იყო. ახ. ქართულში ასეთი ობიექტის მრავლობითი ზმნას აღარ ითანხმებს.

შეიძლება ენას არც ბრუნება ჰქონდეს, არც უღვლილება და სინტაქსური ურთიერთობის გადმოსაცემად გამოიყენოს სიტყვათა რიგი, სიტყვათა წარმოთქმა სხვადასხვა ტონით (შდრ., ჩინურში ამ მხრივ ოთხგვარ ტონს განარჩევენ: თანაბარს, აღმავალს, დამავალს, აღმავალ-დამავალს). უმორფოლოგიოდ ენა შესაძლებელია არსებობდეს, უსინტაქსოდ კი შეუძლებელი იქნებოდა.

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობისაგან უნდა განვასხვავოთ სიტყვათა ურ-

თიერთობა მნიშვნელობის მიხედვით, სემანტიკური შეხამებადობა: „მამაცი მებრძოლი" — შდრ. „მამაცი აზრი". „მამაცი მებრძოლი" სინტაქსური (სტრუქტურული) თვალსაზრისითაც უნაკლოა და მნიშვნელობითაც (სემანტიკურად), სიტყვები ერთურთს ეგუება. „მამაცი აზრი" ფორმის მიხედვით ერთმანეთს კარგად ეწყობა, მნიშვნელობის მიხედვით შეუთავსებელია, სემანტიკურად — აუტანელი.

სიტყვათა ურთიერთობას მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მიხედვით *სტილისტიკა* (ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა) სწავლობს. მას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ს-გან უნდა გაირჩეს. ჩვეულებრივ, რასაც ს-ს უწოდებენ, ს-ის ელემენტებსაც შეიცავს და სტილისტიკის ნაწილებსაც, მაგრამ არც ს-ია და არც სტილისტიკა (გერმ. Mischsyntax — ნარევი ს.).

ს-ის რაობა, საგანი, ცნებები ამჟამადაც სადავოა. მაგ., ნ. ხომსკის „ტრანსფორმაციულ გრამატიკაში" ს. არსებითად სტილისტიკურ ოპერაციებს წარმოადგენს, ლ. ტენიერის აზრით (1959), მორფოლოგიასაც და ს-საც ერთი და იგივე ობიექტი აქვს — ფრაზა: მის გარე ფორმას მორფოლოგია სწავლობს, შინაგანს — ს. და ა. შ.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გამოც. მე-2, [ტ.] 1, თბ., 1968 (ზოგადი ნაწ., გვ. 1—128); E s p e r s e n O., Философия грамматики, пер. с англ., М., 1958; П е ш к о в с к и й А. М., Русский синтаксис в научном освещении, М., 1956; Х о м с к и й Н., Аспекты теории синтаксиса, М., 1972; R i e s J., Was ist Syntax?, 2. Ausg., Prag, 1927; T e s n i è r e L., Eléments de syntaxe structurale, P., 1959.

არნ. ჩიქობავა.

სინტ-ნიკლაასი (Sint-Niklaas), ქალაქი ჩრდ. ბელგიაში, აღმ. ფლანდრიის პროვინციაში. 68 ათ. მცხ. (1980). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. საფეიქრო (უმთავრესად ბამბეულის), მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., კვების მრეწვ. საწარმოები.

სინტოიზმი [იაპ. სინტო, სიტყვასიტყვით — ღმერთების გზა (მოძღვრება)], იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია (ბუდიზმთან ერთად). ს. წარმოიქმნა ძვ. კულტიდან, რ-იც განასულიერებდა ბუნებას და აღმერთებდა გარდაცვლილ წინაპრებს. ს-ის თანახმად, ადამიანი დასაბამს იღებს სულისაგან, ძლიერი ღმერთისაგან (კამი). ასეთი სულები და ღმერთები მრავალია. მ. შ. უპირველესია მზის ქალღმერთი *ამატერასუ*. გარკვეულ პირობებში გარდაცვლილის სული შეიძლება კამიდ გადაიქცეს. თავის მხრივ კი, კამის შეუძლია განსახიერდეს რიტუალურ საგნებში; მაგ., მახვილში, სარკეში, ღვთაების ფიგურაში, ფირფიტაში, რ-საც ღვთაების სახელი აწერია; ამგვარი საგანი (სინტაი) თაყვანისცემის ობიექტი ხდება. სინტოისტური კულტი 4 ელემენტს შეიცავს — განწმენდა (ჰარაი), მსხვერპლშეწირვა (სინსეი), მოკლე ლოცვა (ნორიტო) და ზეთით კურთხევა (ნაორაი). V—VI სს-იდან სინტოისტურ ტაძრებს მთლიანად საიმპერატორო კარი განაგებდა. ს-ს არ გააჩნია ერთიანი კანონიკური ლიტ-რა. VII—VIII სს-ში იქმნება ძვ. ისტ. მითების, ლეგენდებისა და თქმულებების კრებული „კოძიკი" („ძველ ამბავთა ჩანაწერი") და „ნიპონ სიოკი" („იაპონიის ანალები"). კორეიდან და ჩინეთიდან VI ს-იდან შემოჭრილმა ბუდიზმმა თანდათანობით შეზღუდა ს. XI—XVI სს-ში ბუდიზმმა მოიპოვა უპირატესობა. მრავალი იაპონელი ორივე რელიგიას მისდევდა (მაგ., ქორწინება, ბავშვის დაბადება, ადგილ. დღესასწაულები სინტოისტური მოძღვრების მიხედვით სრულდებოდა, ხოლო სულის მოსახსენებელი რიტუალი უმთავრესად ბუდისტურ ტაძრებში ტარდებოდა). XVII—XVIII სს-ში მოქმედებდა ე. წ. „ისტორიული სკოლა" (მ. კამო, ნ. მოტოორი და სხვ.), რ-იც მიზნად ისახავდა ს-ის განმტკიცებას და იმპერატორის კულტის აღორძინებას. 1867—68 რევოლუციის შემდეგ 1945-მდე ს-ს ბუდიზმთან ერთად მფარველობდა იმპერატორი და მთავრობა. II მსოფლიო ომში (1939—45) იაპ. დამარცხების შემდეგ ს-ის პრესტიჟი დაეცა. 1945 დეკ. სინტოისტური ტაძარი სახელმწიფოს გამოეყო, სინტოისტური ლიტ-რის ნაწილი აკრძალეს, სამღვდელოებამ დაკარგა თავისი ძვ. ოფიც. სტატუტი. 1946 წ. 1 იანვ. იაპ. იმპერატორმა საჯაროდ უარყო თავისი „ღვთაებრივი" წარმოშობა. მაგრამ შემდგომ ს. თანდათანობით მომძლავრდა. 1966 დეკ. მთავრობის გადაწყვეტილებით აღადგინეს ეროვნ. დღესასწაული „იმპერიის დაარსების დღე" — კიგენსეცუ (11 დეკ.). სინტოისტური ტრადიციით, ამ დღეს ძვ. წ. 660 ტახტზე ავიდა *ძიმუ*.

სინტომაიცინი, ლევომიცეტინის (ანტიბიოტიკი) ოპტიკური იზომერების ნარევი. იყენებენ გარეგან საშუალებად 1%, 5% ან 10%-იანი ლინიმენტის (ემულსია) სახით ჩირქოვან-ანთებითი პროცესების სამკურნალოდ. იხ. აგრეთვე *ანტიბიოტიკები*.

სინუსების თეორემა, ტრიგონომეტრიის თეორემა, რ-იც ადგენს თანაფარდობას ნებისმიერი სამკუთხედის a, b, c გვერდებსა და მათ პირდაპირ მდებარე A, B, C კუთხეების სინუსებს შორის. ს. თ-ის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

$$\frac{a}{\sin A}=\frac{b}{\sin B}=\frac{c}{\sin C}=2R,$$

სადაც R მოცემულ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის რადიუსია.


სინუსი, ერთ-ერთი *ტრიგონომეტრიული ფუნქცია*; აღინიშნება sin -ით. მართკუთხა სამკუთხედში მახვილი კუთხის ს. ტოლია ამ კუთხის პირდაპირ მდებარე კათეტის ფარდობისა ჰიპოტენუზასთან. ინდ. მათემატიკოსები ს-ს აღნიშნავდნენ სიტყვით „ჯივა" (სიტყვასიტყვით — მშვილდი). არაბებმა ეს ტერმინი გადაიკეთეს „ჯიბად", რ-იც შემდეგში „ჯაიბად" გადაიქცა (ნიშნავს ტანსაცმლის ნაკეცს). ამ სიტყვას შეესაბამება ლათ. სიტყვა sinus.

სინუსიტი, ს ი ნ უ ი ტ ი (ლათ. sinus—ხვეული, წიაღი), ადამიანისა და ცხოველების ცხვირის დანამატი წიაღების ანთება. ადამიანს მწვავე ს. უჩნდება როგორც გრიპისა და მწვავე რესპირაციული დაავადებების, ისე სხვა ინფექციური დაავადების გართულება, ქრონ. კი ვითარდება მწვავე ს-ის გადატანის შემდეგ (თუ მწვავე ს. არ იყო ბოლომდე განკურნებული). მწვავე ს-ის საერთო სიმპტომებია ტემპ-რის აწევა, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან, ცხვირის სუნთქვის გაძნელება (ჩვეულებრივ ცალ მხარეს). ქრონ. ს. მიმდინარეობს მაღალი ტემპ-რის გარეშე და უფრო სუსტად გამოხატული საერთო სიმპტომებით. ქრონ. ს-ის დროს დანამატ წიაღებსა და ღრუებში შეიძლება გაჩნდეს პოლიპები. ანთების ხასიათის მიხედვით, ს. შეიძლება იყოს კატარული და ჩირქოვანი. წიაღების დაზიანების მიხედვით განარჩევენ ჰ ა ი მ ო რ ი ტ ს (ზედა ყბის წიაღის ლორწოვანას ანთება), ფ რ ო ნ ტ ი ტ ს (შუბლის წიაღის ლორწოვანას ანთება), ე თ მ ო ი დ ი ტ ს (ცხავის ძვლის ლაბირინთის ლორწოვანას ანთება), ს ფ ე ნ ო ი დ ი ტ ს (ძირითადი წიაღის ლორწოვანას ანთება); ზოგჯერ ანთებითი პროცესი ვრცელდება ერთი ან ორივე მხარის ყველა დანამატ წიაღზე (პანსინუსიტი). მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: მედიკამენტები, ადგილობრივად — სიობო (სათბუნი, კომპრესი); ფიზიოთერაპია; ზოგჯერ ქირურგ. ჩარევა. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ძირითადი დაავადების დროული მკურნალობა.


სინუსოიდა, ბრტყელი წირი, რ-იც წარმოადგენს $y=\sin x$ ფუნქციის გრაფიკს. იხ. *ტრიგონომეტრიული ფუნქციები*.

სინუსოიდური დენი, *ცვლადი დენი*, რ-იც დროის სინუსოიდური ფუნქციაა: $i=I_m \sin(\omega t+\varphi)$, სადაც i დენის ძალის მყისი მნიშვნელობაა, I_m — მისი ამპლიტუდა, ω — კუთხური სიხშირე, φ — საწყისი ფაზა. ს. დ-ის წრფივი წრედის ყველა ნაწილში ძაბვები, დენის ძალები და დაინდუქციებადი ემძ-ები აგრეთვე სინუსოიდურია. ს. დ-ის ტექნიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა დაკავშირებულია ელექტრომოწყობილობებისა და წრედების გამარტივებასთან.


სინუსური სახაზავი, სპეციალური სახაზავი მართკუთხა პარალელეპიპედის სახისა, რ-საც ბოლოებზე აქვს 2 ცილინდრული გორგოლაჭი (ბურთულა). ს. ს-ის დანიშნულებაა სხვადასხვა დეტალის (მაგ., კონუსის, სოლისა და მისთ.) დამზადების ან გაზომვის დროს მოცემული კუთხის დაყენება. გასაზომ ან დასამუშ. დეტალს დგამენ ს. ს-ის ბრტყელ ზედაპირზე (ან ცენტრებში). ყველაზე ხშირად ს. ს-ს ასათვლელ თავთან ერთად იყენებენ კონუსური *კალიბრების* კუთხის ცდომილების განსასაზღვრავად (ნახ.). ს. ს-ს ააწყობენ კონუსის ნომინალურ კუთხეზე, ხოლო ასათვლელი თავის სკალის მიხედვით განსაზღვრავენ კონუსის მსახველის ჰორიზ. მდგომარეობიდან გადახრას იმ ფილის მიმართ, რ-ზეც მდებარეობს ს. ს.; ს. ს-ის მეშვეობით ჩვეულებრივ ადგენენ კუთხეებს 0°-იდან 45°-მდე (ცდომილება — 4″-იდან 15″-მდე). ს. ს-ის პრინციპს იყენებენ, მაგ., სხვადასხვა ხელსაწყოს კონსტრუქციაში (მოძრაობათა გადასაცემად რაიმე კუთხით ძირითადი მოძრაობის მიმართ), ლითონსაჭრელი ჩარხების სამარჯვებში (დახრილზედაპირიანი დეტალების დამუშავებისას) და და ა. შ.



სინუსოიდა.



სინუსური სახაზავი. კუთხის გაზომვა სინუსური სახაზავის გამოყენებისას: ა — გარე კონუსისა; ბ — შიგა კონუსისა; 1 — კონუსური კალიბრი; 2 — ასათვლელი თავი; I და II — ასათვლელი თავის მდგომარეობა.



სინქრონიზატორი ავტომობილისა: 1—გარსაკრი; 2—ჭურა; 3—წკირი; 4—ურიკა; 5—ფრიქციული კონუსური რგოლები; 6—ფიქსატორის ზამბარა.

ურმა აღწერითი, სტატიკური ენათმეცნ. აღსანიშნავად, მანვე ჩაუყარა საფუძველი სინქრონიული ენათმეცნ. წინ წამოწევას დიაქრონიულთან (იხ. *დიაქრონია*) შედარებით. *თ. შარაძენიძე.*

სინქრონიზატორი ავტომობილისა, მოწყობილობა, რ-იც ავტომობილების *გადაცემათა კოლოფში* უზრუნველყოფს გადაცემების გადართვას უხმაუროდ, კბილანების დარტყმის გარეშე.

სინქრონიზაცია (<ბერძნ. synchronos — ერთდროული), ორი ან რამდენიმე პროცესის დაყვანა სინქრონულობაზე, ე. ი. მათ ისეთ კიმდინარეობაზე, როცა პროცესების ერთნაირი ან შესაბამისი ელემენტები სრულდება ფაზის მიხედვით უცვლელი გადანაცვლებით ერთმანეთის მიმართ (მაგ., ორატორისა და თარჯიმნის მეტყველება სინქრონული თარგმნის დროს) ან ერთდროულად (მაგ. მოცეკვაქეთა მოძრაობანი კორდებალეტში). პერიოდული პროცესების ს-ს აღწევენ მათი პერიოდების (სიხშირეთა) ურთიერთშესაბამისობაზე (მაგ., ტოლობაზე ან ჯერადობაზე) დაყვანით და მათ საწყის ფაზებს შორის მუდმივი თანაფარდობის (ფაზათა მუდმივი ურთიერთგადანაცვლების) დადგენით. სინქრონულობის პირობების დამაკმაყოფილებელ პროცესებს სინქრონულს ან სინქრონიზებულს უწოდებენ, ხოლო მათ ამ თვისებას — სინქრონიზმს. არასინქრონულ პროცესს ასინქრონულს უწოდებენ. პროცესების ს-ს დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკაში, მაგ. ენერგეტიკაში, ტელევიზიაში, რადიო- და კინოტექნიკაში და ა. შ.

სინქრონიზაცია კინოში, *სინქრონული კინოგადაღების* მეთოდით (გამოსახულება და ბგერა იწერება ცალკეულ მატარებლებზე კინოფირზე და მაგნ. ლენტზე) გადაღებული ფილმის (ან მისი ნაწილების) აღწარმოებისას ვიზუალური და სმენითი სახეების დაყვანა ზუსტ დროით შესაბამისობაზე. ს-ს უზრუნველყოფს გამოსახულებისა და მისი შესაბამისი ბგერის აღწარმოების ერთდროულად დაწყება, ამასთან ერთად, კინოფირისა და ფონოგრამის მოძრაობის იმ რეჟიმის ზუსტი გამეორება, რ-საც იცავდნენ კინოგადაღებისა და ბგერათჩაწერის დროს. პერფორირებული მატარებლების სინქრონულ გადაძრავებას აღწევენ გადაღებებისას და აღწარმოებისას ისეთი კბილადოლიანი ლენტსაწევი მექანიზმების გამოყენებით, რ-თა ამძრავია *სინქრონული ელექტრომძრავა*. თუ ფილმის გადაღებისას გამოსახულებასა და ბგერას ერთ მატარებელზე ჩაიწერენ, მათი სინქრონულობა აღწარმოებისას ავტომატურად იქნება უზრუნველყოფილი.

სინქრონული გამომთვლელი მანქანა, *ციფრული გამომთვლელი მანქანა*, რ-ის სამუშაო ტაქტის ხანგრძლივობა ყველა ოპერაციისათვის განისაზღვრება მანქანის მართვის მოწყობილობით (დანარჩენი მოწყობილობის მუშაობისათვის ფაქტობრივად საჭირო დროისაგან დამოუკიდებლად). ტაქტს შეარჩევენ ყველაზე ოპერაციის შესრულებისათვის საჭირო მაქს. დროის მიხედვით. ასეთი მანქანის სწრაფქმედება ნაკლებია *ასინქრონული გამომთვლელი მანქანის* სწრაფქმედებაზე, სამაგიეროდ მისი კონსტრუქცია უფრო მარტივია, რადგან მას არა აქვს ოპერაციის დამთავრების მომენტის განმსაზღვრელი ელემენტები.

სინქრონული გენერატორი, გენერატორის რეჟიმით მომუშავე *სინქრონული ელექტრული მანქანა*. ს. გ-ს იყენებენ მუდმივი სიხშირის ცვლადი დენის წყაროდ და დგამენ ელექტროსადგურებში, ელექტრულ დანადგარებში, ტრანსპორტზე და ა. შ. ს. გ-ის გამოყენება დაიწყეს XIX ს. 70-იან წლებში *იაბლოჩკოვის სანთლის* გამოგონებასთან დაკავშირებით. ყველაზე მეტადაა გავრცელებული სამრეწვ. სიხშირის დენის მისაღები ს. გ-ები, რ-თა როტორებს აბრუნებს ორთქლის (*ტურბოგენერატორი*) ან წყლის (*ჰიდროგენერატორი*) ტურბინები. აგებენ ისეთ ს. გ-ებსაც, რ-თა ამძრავია აირის ტურბინა, შიგაწვის ძრავა, ქარის ძრავა ან ელექტროძრავა. განასხვავებენ ზოგადსამრეწვ. და სპეც. დანიშნულების ერთ- და სამფაზიან ს. გ-ებს. ს. გ-ის სიმძლავრე *ვტ*-ის ნაწილედან რამდენიმე ასეულ *მეგავტ*-მდე აღწევს. განსაკუთრებულ კლასს შეადგენს გაზრდილი რაოდენობის პოლუსთა წყვილის მქონე ს. გ-ები, რ-თა დანიშნულებაა გადიდებული სიხშირის დენის მიღება.

სინქრონული ელექტრძრავა, *სინქრონული ელექტრული მანქანა*, რ-იც მუშაობს ძრავას რეჟიმით. ს. ე-ს *სტატორს* აქვს მრავალფაზიანი (უმეტესად სამფაზიანი) ღუზის გრაგნილი. *როტორზე* მდებარეობს აგზნების გრაგნილი, რ-საც იმდენივე პოლუსი აქვს, რამდენიც სტატორის გრაგნილს. სტატორის გრაგნილს უერთებენ ცვლადი დენის ქსელს, როტორის გრაგნილს კი (ს. ე-ს უმრავლეს ჯონსტრუქციაში) — მუდმივი დენის წყაროს. ს. ე-ს ასაგზნებად იყენებენ მუდმივი დენის გენერატორებს ან ტირისტორულ გამმართველებს, რ-ებიც უზრუნველყოფენ ძრავას მუშაობის უფრო მაღალ (ელექტრომანქანურ ამგზნებებთან შედარებით) საიმედოობას. მცირე სიმძლავრის (2 *კვტ*-მდე) ს. ე-ს ზოგჯერ აღაგზნებენ მუდმივი მაგნიტით ან სტატორის რეაქტიული დენით. ს. ე-ის ამუშავება შეიძლება სამნაირად: დამხმარე ძრავას მეშვეობით, სიხშირულად და ასინქრონულად (ყველაზე გავრცელებული). *ასინქრონული ელექტრძრავასაგან* განსხვავებით, ს. ე-ს შეუძლია მოცემული დატვირთვის დროს იმუშაოს სხვადასხვა *სიმძლავრის კოეფიციენტით* (cos φ). აგზნების დენის გაზრდისას სიმძლავრის კოეფიციენტი იზრდება და ამ დენის გარკვეული მნიშვნელობის დროს უტოლდება 1-ს. აგზნების დენის სიდიდის შესაბამისად რეაქტიული სიმძლავრე შეიძლება გადაეცეს ქსელს (გადამეტაგზნება) ან მოხმარებულ იქნეს ქსლიდან (უკმარაგზნება). ს. ე-ს იყენებენ ისეთ ელექტროამძრავებში, რ-ებიც არ საჭიროებენ ბრუნვის სიხშირის რეგულირებას, მაშინ როცა ძრავას ღილვზე არაა მნიშვნელოვანი გადამეტტვირთვა (მაგ., ტუმბოს, კომპრესორის, ვენტილატორისა და მისთ. ასამუშაებლად). ს. ე-ს სიმძლავრე *ვტ*-ის ნაწილედან რამდენიმე ათეულ *მეგავტ*-მდეა.

სინქრონული ელექტრული მანქანა, *ცვლადი დენის მანქანა* (ჩვეულებრივ სამფაზიანი), რ-ის ბრუნვის სიხშირე (*n*) ხისტადაა დაკავშირებული ქსლის სიხშირესთან (*f*) შემდეგი თანაფარდობით: $n=f/p$, სადაც *p* მანქანის პოლუსთა წყვილების რაოდენობაა. ს. ე. მ-ის მუშაობის რეჟიმის მიხედვით განასხვავებენ *სინქრონულ გენერატორებს*, *სინქრონულ ელექტრძრავებსა* და *სინქრონულ კომპენსატორებს*. ნებისმიერ ს. ე. მ-ს შეუძლია იმუშაოს სამივე რეჟიმით, მაგრამ პრაქტიკულად თანამედროვე სინქრონული გენერატორების, ძრავებისა და კომპენსატორების კონსტრუქციებში არის გარკვეული განსხვავება, რ-საც ყოველი რეჟიმის თავისებურებები განაპირობებს. ს. ე. მ-ის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია *სტატორი*, რ-საც აქვს ცვლადი დენის სამუშაო გრაგნილი, და ცხად- ან არაცხადპოლუსიანი *როტორი*, რ-ზეც მდებარეობს აგზნების გრაგნილი (ყოველთვის იკვებება მუდმივი დენით). ზოგჯერ მცირე სიმძლავრის (20 *კვტ*-მდე) ს. ე. მ-ში ცვლადი დენის გრაგნილს ათავსებენ როტორზე, აგზნების გრაგნილს კი — სტატორზე. ასეთი ს. ე. მ-ის კონსტრუქციას შექცეულს უწოდებენ.

სინქრონული კინოგადაღება, *კინოგადაღება*, რ-იც ხდება ბგერის ჩაწერასთან ერთად (ერთდროულად). ს. კ-ის დროს *ბგერათჩაწერა* ხდება ფოტოგრ. ან მაგნ. ხერხით ან იმავე კინოფირზე, რ-ზედაც იღებენ გამოსახულებას, ან ცალკეულ კინოფირზე და მაგნ. ლენტზე. თუ გამოსახულებისა და ბგერის ჩაწერა ცალცალკე (სხვადასხვა მატარებელზე) ხდება, აუცილებელია სპეც. წესების დაცვა (იხ. *სინქრონიზაცია კინოში*). ს. კ-ის დროს იყენებენ მცირეხმაურიან კინოგადასაღებ და გასანათებელ აპარატურას; პავილიონებს ს. კ-თვის აგებენ ბგერათშთანმთქმელი და ბეგრასთანაიზოლაციო მასალის გამოყენებით (იხ. *აკუსტიკური მასალა*). ს. კ-ს იყენებენ მხატვრული, ქრონ., სასწ. და სხვა ფილმების წარმოებაში.

სინქრონული კომპენსატორი, *სინქრონული ელექტრული მანქანა*, რ-იც მუშაობს ძრავას რეჟიმით ლილვზე დატვირთვის გარეშე; იყენებენ დენის ძალასა და ძაბვას შორის ფაზათა გადანაცვლების კომპენსაციისა და ელექტროგადაცემის ხაზის ბოლოში ან შუალედურ წერტილებში ძაბვის სარეგულირებლად. ს. კ. ისევე ამუშავდება, როგორც ჩვეულებრივი სინქრონული ძრავები. ს. კ-ის ამუშავების დენის ძალა შეადგენს მისი ნომინალური მნიშვნელობის 30—100%-ს. ს. კ-ის სიმძლავრე აღწევს ასეულ *მეგვ*-ა-ს.

სინქროტრონი [ბერძნ. synchronos — ერთდროული და (*ელექ*)*ტრონი*], ელექტრონების ციკლური რეზონანსული ამჩქარებელი, რ-საც აქვს მუდმივი რადიუსის ორბიტა, დროის მიხედვით ზრდადი მმართველი (წამყვანი) მაგნიტური ველი და ამჩქარებელი ძაბვის მუდმივი სიხშირე. იხ. აგრეთვე *დამუხტული ნაწილაკების ამჩქარებლები*.

სინქროტრონული გამოსხივება, მაგნიტურმუხრუჭა გამოსხივება, ელექტრომაგნიტური გამოსხივება მაგნ. ველში რელატივისტური სიჩქარეებით მოძრავი დამუხტული ნაწილაკების მიერ. გამოსხივებას განაპირობებს მაგნ. ველში ნაწილაკის ტრაექტორიის გამრუდებასთან დაკავშირებული აჩქარება. წრიულ ან სპირალურ ტრაექტორიაზე მოძრავი არარელატივისტური ნაწილაკების მიერ ანალოგიურ გამოსხივებას ციკლოტრონულ გამოსხივებას უწოდებენ. იგი წარმოიშობა ძირითად *ციკლოტრონულ სიხშირესა* და მის პირველ ჰარმონიკებზე. ნაწილაკთა სიჩქარეების გაზრდისას მაღალი ჰარმონიკების როლი იზრდება; რელატივისტურ საზღვართან სიჩქარეების მიახლოებისას გამოსხივებას უმეტესად ინტენს. მაღალი ჰარმონიკების არეში აქვს პრაქტიკულად უწყვეტი სპექტრი და მყისი სიჩქარის მიმართულებით ვიწრო კონუსშია (რ-ის გაშლის კუთხე $\Psi \sim mc^2/\varepsilon$, სადაც *m* და ε არის ნაწილაკის მასა და ენერგია, *c* — სინათლის სიჩქარე ვაკუუმში) თავმოყრილი.

თავდაპირველად მიიღეს ელექტრონის ს. გ. ციკლურ ამჩქარებლებში, კერძოდ სინქროტრონებში (აქედანაა მისი სახელწოდება).

სინქროფაზოტრონი, პროტონული სინქროტრონი, პროტონების ციკლური რეზონანსული ამჩქარებელი, რ-საც აქვს მუდმივი რადიუსის ორბიტა, დროის მიხედვით ზრდადი მმართველი (წამყვანი) მაგნ. ველი და ამჩქარებელი ძაბვის ცვლადი სიხშირე. იხ. აგრეთვე *დამუხტული ნაწილაკების ამჩქარებლები*.

სინქროციკლოტრონი, დამუხტული ნაწილაკების ციკლური რეზონანსული ამჩქარებელი, რ-საც აქვს მუდმივი მაგნ. ველი და ამჩქარებელი მაღალსიხშირული ელექტრული ველის ცვლადი სიხშირე. იხ. აგრეთვე *ფაზოტრონი*.

სინციტიუმი (ბერძნ. syn — ერთად და kytos — აქ: უჯრედი), ქსოვილის აღნა-

გობის ერთ-ერთი სახე, რ-შიც უჯრედები ერთმანეთს გამონაზარდებით უკავშირდებიან ისე, რომ ციტოპლაზმა ერთი უჯრედიდან მეორეში უწყვეტად გადადის.

სინძიანის უილურთა ავტონომიური რაიონი, სინძიანი, ავტონომიური რ-ნი ჩინეთის ჩრდ.-დას. ნაწილში, ესაზღვრება სსრკ, ავღანეთი, ინდოეთი, მონღ. სრ. ფართ. 1,6 მლნ. კმ². მოსახლ. 13,1 მლნ. კაცი (1982), უმთავრესად უილურები. მთავარი ქალაქი — ურუმჩი.

ბუნება. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს ჯუნგარისა (ჩრდ-ით) და კაშგარის (სამხრ-ით) ვაკეებს, რ-თაც ყოფს აღმ. ტიან-შანი (სიმაღლე 7000 მ-ზე მეტი). ჩრდ. საზღვართან აღმართულია მონღ. ალთაი (სიმაღლე 3—4 ათ. მ-მდე), სამხრ-ით — კუნლუნის ჩრდ. ქედები (6—7 ათ. მ-მდე), სამხრ.-დას-ით — ყარაყორუმი (6—8 ათ. მ-მდე). აღმ. ტიან-შანში მდებარეობს ტურფანის ღრმული (ზ. დ-ზე 154 მ დაბლა). ჰავა გვალვიანია, მკვეთრად კონტინენტური. ვაკეზე ზაფხული ცხელი იცის (ივლ. ტემპ-რა 20—25°C), ზამთარი — ყინვიანი, მაგრამ უთოვლო. ნალექები ვაკეზე 200 მმ-ზე ნაკლებია წელიწადში, მთაში — 800 მმ-მდე. მთავარი მდ-ებია: ტარიმი, ილის და ირტიშის ზემოთა. ყველაზე დიდი ტბებია: ლობნორი, ბაგრაშკიოლი, ები-ნური. ჭარბობს უდაბნოები, მთაში მკაფიოდაა გამოხატული ლანდშაფტების სიმაღლებრივი სარტყლურობა.

მეურნეობა. ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. წამყვანია მიწათმოქმედება. მთავარი სას.-სამ. კულტურებია ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, მოჰყავთ აგრეთვე ბამბა, რაფსი, კანაფი. კაშგარში განვითარებულია მევენახეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა. სინძიანის ჩრდ. ნაწილში მისდევენ მეცხოველეობას, აშენებენ ცხვარს, თხას, მსხვ. რქ. საქონელს, აქლემს, ცხენს.

იღებენ ნავთობს, ქვანახშირს, იშვიათ და ძვირფას ლითონებს, ქარსს, გრაფიტს, ნეფრიტს. ნავთობის მოპოვებითა და გადამუშავებით ს. ჩინ. სრ-ის ერთ-ერთი უდიდესი რ-ნია. არის მეტალ. (ურუმჩი, ხამი), მანქანათსაშ., ქიმ., საფეიქრო, ტყავის მრეწვ., საშენ მასალათა საწარმოები. სხვადასხვა სახის ხელოსნობა. მთავარი სატრანსპ. მაგისტრალია ლანჯოუ—ურუმჩის რკინიგზა, აგრეთვე ხამი—ტურფან—ურუმჩი — ჩუგუჩაკისა და ტურფან — კაშგარის საავტ. გზები. ურუმჩი ავიახაზებით უკავშირდება პეკინს და ჩინ. სხვა ქ-ებს.

ისტორიული ცნობა. სინძიანი (ჩინურად „ახალი ხაზი", „ახალი საზღვარი") ეწოდა აღმ. თურქესტანისა და ჯუნგარიის ტერიტორიას მანჯურიული ცინის დინასტიის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ (XIII ს. 50-იანი წწ.). ძვ. წ. III—II სს-ში იგი დაიპყრეს ხუნუს ხალხებმა. ძვ. წ. 206 — ახ. წ. 220 ხანის დინასტია ეწეოდა დამპყრობლურ ომებს ხუნუს წინააღმდეგ. აღმ. თურქესტანის აღმ. ნაწილი და ჯუნგარია დროებით დაემორჩილა ხანის იმპერიას. III—VI სს-ში ეს ტერიტ. იყო ჯერ სიანბის, შემდეგ ჟუჟანების, ხოლო VI ს. II ნახევარში — ძვ. თურქ. ტომების კონტროლქვეშ. VII ს-ში აღმ. თურქესტანი და ჯუნგარია ისევ ჩინ. (ტანის) იმპერიას ემორჩილებოდა. ამ პერიოდში აქ გაბატონდა ფეოდ. ურთიერთობა. X ს. დასაწყისში შეიქმნა უილურთა ტურფანის სახელმწიფო, რ-იც XII ს-ში ყარახატაელების ვასალი გახდა. XIII—XV სს-ში აღმ. თურქესტანი და ჯუნგარია მონღ. ხანების ძალაუფლებას დაექვემდებარა, ხოლო თემურლენგის იმპერიის დაცემის შემდეგ (XV ს.) აქ რამდენიმე სახელმწიფო შეიქმნა. XVII ს. 30-იან წლებში აქ აღმოცენდა *ოირათთა სახანო*. XVIII ს. 50-იანი წწ. ბოლოს ჯუნგარია და აღმ. თურქესტანი დაიპყრო ცინის იმპერიამ. 1862—77 უილურებისა და დუნგანების აჯანყების შედეგად იაკუბბეგმა შექმნა უილურთა სახელმწიფო და ქალაქების დუნგანის კავშირი. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჯუნგარია და აღმ. თურქესტანი გადაიქცა ცინის იმპერიის პროვინცია — სინძიანად. 1912 სინხაის რევ. (1911—13) დროს ცინების ხელისუფლება დაემხო და ახ. რესპ. გუბერნატორმა *იუან ში-კაის* დახმარებით სინძიანში დაამყარა სამხ. დიქტატურა. 1928 იგი შეცვალა ჩინელმა მილიტარისტმა ძინ შუჟენმა. გაძლიერდა ეროვნ. ჩაგვრა. 1931 სინძიანში დაიწყო აჯანყებები, რ-ებიც განმათ. ხასიათს ატარებდა. 1933 აპრ-ში შენ შიცაის მეთაურობით შეიქმნა ახ. პროვ. მთავრობა, რ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრ. ძალებიც. მან დაამყარა კულტ. და სავაჭრო ურთიერთობა სსრკ-თან, მაგრამ 40-იან წწ. დასაწყისში შენ შიცაიმ დაიწყო ჩან კაიშის გომინდანის მთავრობის შესაფერისი ანტიხალხური რეაქციული პოლიტიკის გატარება. ჩინეთში სახ. რევ. გამარჯვების შემდეგ 1949 სინძიანი გომინდანელებისაგან განთავისუფლდა მშვიდობიანი გზით. 50-იან წლებში საბჭ. ხალხის ძმური დახმარებით მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა სინძიანის საზ., პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცხოვრებაში. 1954 დასრულდა აგრ. რეფორმა, გაჩაღდა სოფ. მეურნ. კოოპერირება. 1955 სექტ. ჩინ. სრ-ის პროვინცია — სინძიანი გარდაიქმნა ს. უ. ა. რ-ად, მაგრამ ჩინ. სრ-ის ხელმძღვანელობის მიერ საშინაო და საგარეო პოლიტ. კურსის შეცვლისთანავე დაიწყო სინძიანის ხალხების ეროვნ. დისკრიმინაცია. კულტ. რევ. დროს (60-იანი წწ. II ნახ.) ეროვნ. ავტონომია ფაქტობრივად ფიქციად იქცა.

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. სინძიანის ხელოვნ. უძველესი ნიმუშები უახლოვდება *ცხოველური სტილის* ძეგლებს და მიეკუთვნება ახ. წ. I—III სს. სინძიანის ხელოვნ. ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინდ. ხელოვნებამ, საიდანაც არის ნასესხები ნაგებობათა ტიპები (სტუპა, გამოქვაბული ტაძარი და სხვ.). VI—VII სს-ში ფართოვდება ურთიერთობა სოღდსა და შუა აზიის სხვა ქვეყნებთან. VII—VIII სს-ში არქიტ. ნაგებობანი უფრო მოხდენილია და შემკულია რთული დეკორით. ს-ის ხელოვნ. თვითმყოფადობამ განსაკუთრებით იჩინა თავი III—VI სს. სტუკისა და თიხის ქანდაკებაში, V—VII სს. გამოქვაბული ტაძრებისა და მონასტრების მოხატულობაში (კუჩარი, კარაშარი, ტურფანი). IX ს-იდან მოხატულობა მონუმ. ხასიათისა ხდება, ქანდაკება — პირობითი და კანონიკური, 1950-იანი წლებიდან ს. უ. ა. რ-ში მიმდინარეობს ინტენს. მშენებლობა. ვითარდება ტრად. ხალხური წარმოება (აბრეშუმისა და ხალიჩების ქსოვა).

სინხაის რევოლუცია, ბურჟუაზიული რევოლუცია ჩინეთში 1911—13, დაამხო მანჯურიელთა ცინის დინასტია და ჩინეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. რევოლუცია დაიწყო ძვ. ჩინ. კალენდრის მიხედვით „სინხაის" წელს (აქედან სახელწ.). გაპირობებული იყო მანჯურიის დინასტიის დამხობის ისტ. აუცილებლობით, იგი მხარს უჭერდა ფეოდ. წესებს და ამუხრუჭებდა კაპიტალიზმის განვითარებას ჩინეთში. რევ. მამოძრავებელი ძალები იყვნენ: ეროვნ. ბურჟუაზია, გლეხობა, მუშები, ლიბერ. მემამულეები. რევოლუცია დაიწყო ჯარისკაცთა აჯანყებით 1911 წ. 10 ოქტ. ქალაქ უჩანში. ნოემბ. ბოლოს სამხრ., ცენტრ. და ჩრდ. ჩინეთის 15 პროვინციაში დაემხო მანჯურიის დინასტიის ხელისუფლება. აჯანყებულ რ-ნებს სათავეში მოექცნენ ლიბერ. ბურჟუაზია და მემამულეთა წარმომადგენლები. ცინებმა მოიწვიეს რეაქციონერი გენ. იუან შიკაი და 2 ნოემბ. პრემიერ-მინისტრად და მთავარსარდლად დანიშნეს. იგი ლავირების პოლიტიკას ატარებდა ცინების მთავრობასა და რევოლუციონერებს შორის. ჩინ. რესპ. ბანკის წარმომადგენლებმა დაიწყეს იუან შიკაისთან მოლაპარაკება. 29 დეკ. აჯანყებული პროვინციების დელეგატების კრებამ (ნანკინში) ჩინ. რესპ. ღროებით პრეზიდენტად აირჩია ემიგრაციიდან დაბრუნებული *სუნ იატსენი*, მაგრამ იმპერიალ. ქვეყნებმა არ ცნეს ნანკინის მთავრობა. რევ. ბანკის შემთანხმებლურმა უმრავლესობამ მოითხოვა, სუნ იატსენის ნაცვლად იუან შიკაის დაეკავებინა პრეზიდენტის პოსტი. 1912 წ. 12 თებ. მანჯურიელი იმპერატორი გადადგა ტახტიდან, ხოლო 15 თებ. ნანკინის კრებამ იუან შიკაი აირჩია დროებით პრეზიდენტად.

იუან შიკაიმ ისარგებლა ლიბერ. წრეებისა და ბურჟ. დემოკრატიის სისუსტით და საერთაშ. იმპერიალიზმის დახმარებით დაამყარა სამხ.-ფეოდ. დიქტატურა.

სინხუა (ახალი ჩინეთი), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო. დაარსდა 1931 იანიანში როგორც ჩინ. კომპარტიის საინფორმაციო სააგენტო. ეწოდებოდა წითელი ჩინეთის სააგენტო, 1937-იდან—ახალი ჩინეთის სააგენტო. 1949, ჩინ. სრ გამოცხადების შემდეგ, არის სახელმწ. საინფორმაციო სააგენტო, ამჟამად პეკინშია.

სინჯვისა და შეცდომის მეთოდი, საგნების ან მონაცემების ერთობლიობაში წინასწარ განსაზღვრული საგნის ან ინფორმაციის ძიების პროცესის განხორციელება შემდეგი ალგორითმით: ორად გაყოფილი საძიებელი სიმრავლის ერთ-ერთი ნაწილი ისინჯება; თუ იგი არ შეიცავს სასურველ ელემენტს, დარჩენილი ელემენტები კვლავ იყოფა ორ ნაწილად და ერთი მათგანი ისინჯება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, ვიდრე არ მოიძებნება სასურველი ელემენტი. კვლევისა და ძიების ეს მეთოდი საკმაოდ მარტივია და იგი რთული ამოცანების გადასაწყვეტად არ გამოიყენება.

სინჯი კეთილშობილი ლითონებისა, ოქროს, ვერცხლის, პლატინისა და პალადიუმის შემცველობა იმ შენადნობში, რ-ისგანაც საიუველირო ნაკეთობებსა და მონეტებს ამზადებენ.

ბევრ ქვეყანაში მიღებულია აღნიშვნის მეტრული სისტემა. სსრკ-ში იგი შემოღებულია 1927 წ. 15 ნოემბრიდან. ამ სისტემის მიხედვით, ს-ს აღნიშნავენ კეთილშობილი ლითონის ნაწილების რიცხვით ლიგატურული შენადნობის 1000 ნაწილში (მასის მიხედვით). ხალას ლითონს შეესაბამება 1000-იანი ს. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და შვეიცარიაში მიღებული კარატული სისტემის მიხედვით ლითონის 1000-იან ს-ს შეესაბამება 24 პირობითი ერთეული — კარატები. 1927-მდე რუსეთში არსებობდა ს-ის აღნიშვნის მისხლური სისტემა—золотниковая система [რუსული გირვანქის (ფუნტ) საფუძველზე, უდრიდა 96 მისხალს (золотник)], რ-ის მიხედვით, ს. გამოისახებოდა კეთილშობილი ლითონის შემცველობით (მასის მიხედვით) შენადნობის 96 ერთეულში. კეთილშობილი ლითონის შენადნობის ს., რ-ისგანაც შეიძლება დამზადდეს საიუველირო ნაკეთობა, მტკიცდება საკანონმდებლო წესით. დადაღვისათვის სსრკ-ში მიღებული ს. მოცემულია ცხრილში, ს. გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, რისთვისაც საჭიროა ნაკეთობამ გაიაროს სასინჯი კონტროლი და მასზე დაიდოს ს-ის დაღის ნაჭდევი (იხ. *სასინჯი ანალიზი*). დადაღვას არ საჭიროებს ორდენები, საჯილდოო მედლები და მონეტები. თუმცა მათი შენადნობების ს-ები მკაცრადაა რეგლამენტირებული. სსრკ-ში შენადნობისა და ნაკეთობების ს-ებზე კონტროლსა და



სიონთგორი. კოშკი.



სიონი (ქაშვრის ხეობა). მანის სასმისი. XII—XIII სს. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

დადაღვას ახორციელებენ სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციები.

იმ ქვეყნებში, სადაც დაწესებულია სასინჯი ზედამხედველობა, აკრძალულია კეთილშობილი ლითონებისაგან დამზადებული ნაკეთობებით ვაჭრობა, თუ მათზე არ არის ს-ის დაღის ნაჭდევი, ხოლო ს-ის დაღის ყალბად დასმა კანონით ისჯება. ნაკეთობათა დადაღვისათვის იყენებენ სხვადასხვა ფორმისა და ნახატის მქონე დაღებს. სსრკ-ში ს-ის დაღი 3 ელემენტს შეიცავს: ემბლემას (ნამგალი და ურო ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფონზე); მეტრული ს-ის სამნიშნა რიცხვს, შიფრს (ასოს სახით), რ-იც სასინჯი ზედამხედველობის მოცემულ ინსპექციას ეკუთვნის. საუველირო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა დადაღვა ცნობილია შუა საუკუნეებიდან. ზოგ ქვეყანაში დადაღვას აწარმოებს ფირმა, სახელმწიფოს მხრივ კი კონტროლი აუცილებელი არ არის ან სუსტია.

სინჯის ანალიზი, იგივეა, რაც *სასინჯი ანალიზი.*

სინჯუ, ქალაქი და ნავსადგური ჩინეთში, კ. ტაივანის ჩრდ. ნაწილში, მდ. ფენშანცის ქვემო დინებაში. 225 ათ. მცხ. (1974). რკინიგზის სადგური. ამიაკის წარმოება. ქაფურის დამუშავება. მინის, შაქრის, ხილსაკონსერვო მრეწველობა. ს-ს რ-ნში იღებენ ქვანახშირსა და ბუნებრივ აირს. თევზჭერა.

სინჯუანი (ჩინ. ალორძინების საზ-ბა), პირველი ჩინური რევოლუციური ორგანიზაცია, შექმნა *სუნ იატსენმა* 1894 პონოლულუში (ჰავაის კ-ები). 1895 ს-ის განყ-ბები შეიქმნა სიანგანსა (ჰონკონგი) და გუანჯოუში. ს-ის წევრთა რაოდენობა 300 კაცს არ აღემატებოდა. ორგანიზაციას არ ჰქონდა ვრცელი პროგრამა, ისახავდა მხოლოდ საერთო მიზანს—მანჯურიელთა მონარქიის დამხობასა და „ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენას". 1895 ოქტ-ში ს. შეეცადა აჯანყება მოეწყო გუანჯოუში, რაც წარუმატებლად დასრულდა. 1900 ს-მ ხუეიჯოუს ოლქში (გუანდუნის პროვ.). მოაწყო აჯანყება, რ-შიაც მონაწილეობდნენ გლეხები—საიდუმლო საზ-ბების წევრები. აჯანყება დამარცხდა. 1905 ს-ს წევრები შევიდნენ სრულიად ჩინ. რევ. პარტიაში — ტუნმენხოიში.

სინჰალელები, სინჰალები, ერი, შრი-ლანკის რესპუბლიკისა და კუნძულის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 10530 ათ. კაცი (1978, შეფასება). ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან ევროპეოიდულ რასას და ენათესავებიან ჩრდ. ინდ. ხალხებს. ლაპარაკობენ *სინჰალურ ენაზე.* უმრავლესობა ბუდიზმის, დანარჩენი ქრისტიანობის (ძირითადად კათოლიკობა) მიმდევარია. ს-ს ყოფენ 2 ჯგუფად — ბარისა და მთის (კანდიელები) ს-ად. კანდიელების ყოფაში შემონახულია ზოგიერთი არქაული ნიშანი. ს-ის უმრავლესობა მიწათმოქმედებას, სანაპიროზე კი თევზჭერას მისდევს.

სინჰალის სახელმწიფო, ამ სახელით არის ცნობილი სინჰალელი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რ-იც არსებობდა *შრი-ლანკის* (ცეილონი) ტერიტორიაზე ძვ. წ. III ს-იდან 1815-მდე. ს. ს-ს ისტორია დედაქალაქების სახელწოდების მიხედვით სამ პერიოდად იყოფა: ანურადჰაპურის პერიოდი (ძვ. წ. III ს.—ახ. წ. VIII ს.), პოლონარუვის პერიოდი (VIII—XIII სს.), კანდის პერიოდი (XV—1815).

სინჰალური ენა, შრი-ლანკის ოფიციალური ენა; განეკუთვნება ინდოევრ. ენათა ოჯახის ინდოარიულ ჯგუფს. ს. ე-ზე ლაპარაკობს 9 მლნ-მდე კაცი. უძველესი წარწერები განეკუთვნება ძვ. წ. III ს-ს, უძველესი ლიტ. ძეგლები — ახ. წ. IX ს-ს. ს. ე-ს აქვს თავისი დამწერლობა, რ-იც ბრაჰმის დამწერლობისაგანაა განვითარებული.

სინჰალური ლიტერატურა, იხ. *შრი-ლანკა. ლიტერატურა.*

სინჰარმონიზმი (ბერძნ. syn — ერთად და harmonia — თანაყოფა), ფონეტიკური მოვლენა, რ-იც ბგერათა ასიმილაციაში მდგომარეობს: სიტყვის ყველა ხმოვანი ან ზოგჯერ სიტყვის ყველა ბგერა ერთ-ერთ მათგანს ემსგავსება. ჩვეულებრივ ს-ში გულისხმობენ აფიქსისეული ხმოვნების დამსგავსებას სიტყვის ძირეული ხმოვნებისადმი. ეს ხმოვანთა ჰარმონიაა, რ-იც თურქ. ენებისთვისაა დამახასიათებელი. ასიმილაციის ანალოგიურ პროცესში ხმოვანთა გვერდით ზოგჯერ თანხმოვნებიც ღებულობენ მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს თანხმოვანთა ჰარმონიასთან (მაგ., სიმჟღერე-სიყრუის მიხედვით). ამ ტიპის ს. დამახასიათებელია სემიტური ენებისათვის, აქ ს. ზოგჯერ ფონემურ ღირებულებას იძენს: არამ. თალჯ — ხაფანგი და თალა — მელა.

ლიტ.: წერეთელი კ., ურმიული სინჰარმონიზმი, «საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე», 1946, ტ. 7, № 7; Шанидзе Н. В., Сингармонизм урмийского наречия, კრ.: Памяти акад. Н. Я. Марра, М.—Л., 1938.

კ. წერეთელი.

სიოგუნატი, *სიოგუნების* მმართველობის პერიოდი ფეოდალურ იაპონიაში 1192—1867. ტერმ. „ს." ლიტ-რაში იხმარება იაპ. სახელწ. ბაკუფუსთან ერთად. ს. იყო ფეოდ. დიქტატურის პოლიტ. ფორმა. ფეოდალ მთავრებს ძლიერი ხელისუფლება სჭირდებოდათ გლეხთა მოძრაობების ჩასახშობად, გვიანდ. შუა საუკუნეებში

სსრკ-ში მიღებული ლითონებისა და შენადნობების სინჯი

სინჯის აღნიშვნის სისტემა			შენადნობის ფერი	ლიგატურის შედგენილობა	გამოყენების ძირითადი სფერო
მეტრული	მისხლური	კარატული			
ო ქ რ ო ს შ ე ნ ა დ ნ ო ბ ე ბ ი					
958	92	23	ყვითელი	სპილენძი	ნიშნობის ბეჭედი
750	72	18	წითელი	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა
			ყვითელი	სპილენძი, ვერცხლი	ფილიგრანის ნაკეთობა
				სპილენძი, ვერცხლი, ნიკელი	
			თეთრი	ნიკელი, თუთია, სპილენძი	ბრილიანტის ნაკეთობა
			თეთრი	პალადიუმი, ვერცხლი, სპილენძი.	
583	56	14	წითელი	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა
			ყვითელი	სპილენძი, ვერცხლი	
			მწვანე	ვერცხლი, სპილენძი	საიუველირო ნაკეთობათა ცალკეული დეტალები
500	—	—	წითელი[1]	სპილენძი, ვერცხლი	საიუველირო ნაკეთობა
			მკრთალი ყვითელი	ვერცხლი	ფილიგრანის ნაკეთობა
			ყვითელი[1]		საიუველირო ნაკეთობა
375	—	—	წითელი[1]	სპილენძი, ვერცხლი	და საათების კორპუსი
			ვარდისფერი	ვერცხლი, პალადიუმი, სპილენძი	ნიშნობის ბეჭედი
ვ ე რ ც ხ ლ ი ს შ ე ნ ა დ ნ ო ბ ე ბ ი					
960	—	—	თეთრი	სპილენძი	ფილიგრანის ნაკეთობა
9.5	—	—	თეთრი	სპილენძი	სუფრის გაწყობილობის საგნები
916	88	22	თეთრი	სპილენძი	ფილიგრანის ნაკეთობა, მინანქრიანი ნაკეთობა
875	84	21	თეთრი[2]	სპილენძი	საიუველირო - საყოფაცხოვრებო ნაკეთობა
800	—	—	თეთრი[3]	სპილენძი	საიუველირო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობა
750	—	—	თეთრი ოდნავ მოყვითალო	სპილენძი	წერილი საგალანტერეო საიუველირო ნაკეთობა
პ ლ ა ტ ი ნ ი ს შ ე ნ ა ღ ნ ო ბ ი					
950	—	—	თეთრი	სპილენძი	ბრილიანტებიანი საიუველირო ნაკეთობა
პ ა ლ ა დ ი უ მ ი ს შ ე ნ ა დ ნ ო ბ ე ბ ი					
850	—	—	თეთრი	ვერცხლი, ნიკელი	ნიშნობის ბეჭედი 583-ე სინჯის ოქროსთან
500	—	—	თეთრი	ვერცხლი, ნიკელი	საიუველირო ნაკეთობა
ქ ა ნ დ ი					
ოქრო					
1000	—	—	ყვითელი	—	შენობათა ბარელიეფების, მონუმენტების, ეკლესიების გუმბათების დანაფარი და სხვ.
990—910[5]	—	—	ყვითელი	ვერცხლი, სპილენძი	
750	—	—	მწვანე	ვერცხლი	
ვერცხლი					
1000	—	—	თეთრი	—	
990—910[5]	—	—	თეთრი	სპილენძი	

[1] შენადნობს დიდი რაოდენობით იყენებდნენ დი ამ პერიოდ ომის (1941—45) დროს; [2] შენადნობი უ
უფრო გავრცელებელია სსრკ-ში; [3] შენადნობი უ გ ვრცელებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში;
[4] სსრკ-ში პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს ა ი სინჯის ინტერვალით.

კი ახლად წარმოშობილი ბურჟ. წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს ს., რ-საც ჩვეულებრივ განაგებდა მსხვილი ფეოდ. სახლის (მინამოტოს, ასიკაგას, ტოკუგავას) წარმომადგენელი, კონტროლს უწევდა სხვა სამთავროებს თავისი ეკონ. უპირატესობის გამო. ს-ის დროს ადმ. აპარატი სამხ. წოდების (ბუსის) ხელში იყო; საკანონმდებლო და აღმასრ. ხელისუფლება, ადმ. და სამხ. ორგანოები გაყოფილი არ იყო.

სიოგუნი (სეიი ტაისიოგუნის შემოკლებული სახელწ., სიტყვასიტყვით — დიდი მხედართმთავარი, რ-იც იმორჩილებს ბარბაროსებს), თავდაპირველად სამხედრო წოდება იყო და იმ ჯარების სარდლებს ანიჭებდნენ, რ-ებსაც 794-იდან 811-მდე კ. ჰონსიუს ჩრდ.-აღმ. ნაწილში გზავნიდნენ ებისუს ხალხების დასამორჩილებლად. 1192 ს-ის წოდება მიენიჭა მინამოტოს ფეოდ. სახლის მეთაურს მინამოტო იორიტომოს. ამ დროიდან ს-ს უწოდებდნენ იაპ. სამხ.-ფეოდ. გამგებლებს (რ-ებიც მართავდნენ ქვეყანას იმპერატორის სახელით) მინამოტოს (1192—1333), ასიკაგას [1335 (1338) — 1573], ტოკუგავას (1603—1867) ფეოდ. დინასტიებიდან.

სიოდუჯინი ტიხონ ზახარის ძე [13 (26). VI. 1900, სოფ. სტარაია-კუტლია, პენზის გუბ., — 6. V. 1970, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1952-იდან. მუშაობდა უკიდურეს ჩრდილოეთში, ჩუკოტკაზე. 1931-იდან აქვეყნებდა ნარკვევებს (კრებ. „ჩუკოტკაზე", წგნ. 1, 1938). ჩრდილოეთის მშრომელებს უძღვნა დოკუმენტური მოთხრ. „ჩუკოტკა" (წგნ. 1—2, 1939—41), რომანი „ალიტეტი მიდის მთაში" (წგნ. 1—2, 1947—48; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), მოთხრ. „ტალეკოს გადარჩენა" (1946) და სხვ.

სიოთგორი (ყოფ. რ ო შ კ ი ო ნ ი), სოფელი თიანეთის რ-ში (ღულელების სოფსაბჭო), ერწოს ქვაბულში, ზ. დ. 1070 *მ*, თიანეთიდან 30 *კმ*. ერწოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ღულელებში (4 *კმ*). ბ-კა.

სოფლის სამხრ.-დას-ით, მაღლობზე დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი— სამონასტრო კომპლექსი (წყაროებში — ნადოკრა, ნოტკორა, ნოდოკრა, ნაკორნა, არჩილის მონასტერი), რ-შიც შედის ორი ეკლესია, კოშკი, საშეურნეო და საცხოვრ. ნაგებობათა ნანგრევები.ერთ-ერთი ეკლესია აშენებულია VIII ს. I ნახევარში; იგი მიჩნეულია მეფე *არჩილ II-ის* საძვალედ. მეორე ეკლესია მისგან ჩრდ.-აღმ-ით იდგა; ახლა ძლიერ დანგრეულია. ეკლესიებს შორის ხუთსართულიანი კოშკია (XVII—XVIII სს.), რ-იც დას. კედლით მიდგმულია პირველი ეკლესიის აღმ. კედელზე, ხოლო ჩრდ. კედლით — მეორე ეკლესიაზე. ს-სა და მონასტერს შორის ნასოფლარია.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1978, № 1. ბ. *ჯორბენაძე.*

სიონი, დაბა (1960-იდან) თიანეთის რ-ში, მდ. ივრის ხეობაში, სიონის წყალსაცავის ნაპირზე. ზ. დ. 1000 *მ*, თიანეთიდან 32 *კმ*. სადაბო საბჭოს ცენტრი (შედის ს., სოფლები: ბოჭორმა, გრძელვეღლები, ომარაანი, ორხევი, ფიჭვიანი, ჭუდრო). ს-ში არის ორხევის მეცხოველეობის საბჭ. მეურნ., ხილკენკრული ღვინის ქ-ნა, თბილ. ქ-ნა „თბილხელსაწყოს" ფილიალი, საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, თბილ. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის ფილიალი, კულტსახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. ს. ადგილ. მნიშვნელობის კლიმ.-ბალნეოლ. კურორტია. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცივი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —4,1°C) და ხანგრძლივი გრილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 18,3°C). ნალექები 790 *მმ* წელიწადში. სამკურნ. ფაქტორი: ჰავა სუნთქვის ორგანოთა დაავადებების დროს და ნახშირმჟავა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი მინერ. წყალი (დებიტი 350 ათ. *ლ/დღ-ღ-ში*), რ-საც იყენებენ სასმელად, საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებების დროს. საექიმო პუნქტი, პიონერთა ბანაკები, ტურბაზა. მკურნალობა — ამბულატორიული. სეზონი — ზაფხულის თვეები.

სიონის წყალსაცავის შექმნამდე (1951—63) ს-ში იდგა V ს. II ნახ. ბაზილიკა. 1962 ეკლესიის შიგნით და გარშემო გათხარეს (რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე) მრავალფენიანი სამაროვანი. გამოვლინდა შირიმის კვადრებით ნაგები მიწისქვეშა კამაროვანი აკლდამა (VI ს.), რ-იც შედგება დრომოსისა და სწორკუთხა სათავსისაგან. მასში ყოფილა მიცვალებულის დასასვენებელი ტახტები. აქ გათხრილი ქვაშაქვის ფილებით ნაგები ორგანყოფილებიანი სამარხი (VIII—IX სს.) შიგნიდან შემკულია გეომეტრიულორნამენტიანი ფრიზით. გამოვლენილია კოლექტ. ქვის სამარხები (XI—XVIII სს.), რ-ებშიც ნაპოვნია თიხის სასმისები, მინის ჭურჭელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული, მონეტები და სხვ.

ს-ის კაშხალთან გამოყულენილია ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ნასახლარი. ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, კერა, ხელსაფქვავის ნატეხები. იქვე, ახლოს იყო VI—VIII სს. სამაროვანი. აღმოჩნდა სარდიონისა და მარჯნისთავებიანი ბრინჯაოსფეროიანი საკიდები.


ს-ის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არსებული შუა საუკ. ძეგლების დიდი ნაწილი წყალმა დაფარა, ხოლო ბაზილიკა დაშალეს (1961—62, ხელმძღვ. ლ. ხიმშიაშვილი) და გადმოიტანეს თბილისში ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმში. გეგმით სწორკუთხა ნაგებობის შიგა სივრცე სვეტების ორი წყვილით სამ ნავად არის დაყოფილი, შუა განიერი ნავი აღმ-ით ნალისებრი აფსიდით მთავრდება. კედლები შემოსილია სუფთად გათლილი შირიმის ქვით, სვეტები და ყველა დეკორ. დეტალი ქვიშაქვისაა. მორთულობაში გამოყენებულია მცენარეული, გეომ. მოტივები და ცხოველთა გამოსახულებებით შედგენილი რელიეფური კომპოზიციები. მუზეუმში გადმოტანილია აგრეთვე კამაროვანი აკლდამა, ხოლო ჩუქურთმიანი სამარხი ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1977, № 4. გ. უშვერიძე. რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

სიონი, სოფელი მარნეულის რ-ში (შაუმიანის სადაბო საბჭო), მდ. შულავრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 710 *მ*, მარნეულიდან 29 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. რუსთავის მეტალ. ქ-ნის დამხმარე მეურნ. „ხალიბი". საშ. სკოლა, ბაკა, საფერშლო-საშეანო პუნქტი. სოფელსა და მის მიდამოებში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები: ადრინდ. შუა საუკ. ეკლესიები, ნასოფლარი ქალაქა.

სიონი, სოფელი ჭაზბეგის რ-ში, მდ. თერგის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., არშა, გაიბოტყნი, გარბანი, ეარდისუბანი, თოთი, ფანშეტი). ზ. დ. 1860, *მ*, ყაზბეგიდან 8 *კმ*. ა. ჟდანოვის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა და ბაღი, ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

სოფელში დგას IX—X სს. მიჯნის ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — საშ. ნავიანი ბაზილიკა, ე. წ. ხევის სიონი.




სიონი (ყაზბეგის რაიონში). ეკლესია. IX—X სს. მიჯნა. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი.

ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვის კვადრებით. ფასადების მორთულობა ძუნწია. ტაძარში დას. კედელზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. ეკლესიის მახლობლად, ციცაბო კლდის პირას, დგას ოთხსართულიანი, პირამიდისებრი სადარაჯო კოშკი. იქვე კვარცხლბეკზე აღმართულია მემორიალური ქვა-სტელა, რ-საც თავდაპირველად ჯვარი აგვირგვინებდა. ერთ ქვაზე შემორჩენილია ღვთისმშობლისა და ჩვილის გამოსახულების ნაშთი, ხოლო ფუძის რვაკუთხა ქვაზე ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. ეკლესიის შესასვლელთან ხევის უხუცესთათვის განკუთვნილი ქვის სავარძლები და სკამებია.

ბ. ჯორბენაძე.

სიონი, 1. ბორცვი იერუსალიმში. ბიბლიური ტრადიციით, იქ იყო მეფე დავითის რეზიდენცია და ღვთაება *იაჰვე* ტაძარი. იუდაიზმში სიტყვა „ს." სიმბოლურად „ღვთისმოშიშ" ადამიანს აღნიშნავს. 2. ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში საეკლ. წმინდა ჭურჭელი, რ-შიც სეფისკვერი ინახება. ამზადებენ ვერცხლისაგან და მინიატიურულად ქრისტ. ეკლესიის ფორმას იმეორებს. ქართ. ეკლესიაში ამ ჭურჭელს სანაწილეს უწოდებენ, დგამენ საკურთხეველში ტრაპეზზე. 3. მთელი რიგი ქართული ეკლესიების სახელწოდება.


სიონი, სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში მტკვრის მარჯვ. დაბალ ნაპირზე. ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი. ისტ. ცნობების თანახმად, ქართლის ერისმთავრებს VI ს. II ნახევარში დაუწყიათ საეპისკოპოსო კათედრალის—დიდი ეკლესიის ანუ ს-ის მშენებლობა. ტაძარი მრავალჯერ დაუბრებია და დაუნგრეია მტერს, მრა-




სიონი (თბილისი). ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი. VI ს. II ნახევარი. აღდგენილია XIX ს. დამდეგს.



ა. სიპარისი.



სიპონი: 1—საერთო ხედი ზურგის მხრიდან; 2—კვერცხები; 3—სიპონის ნიგარა მუცლის მხრიდან.



სიფუნკულიდები: ა—Golfingia vulgare; ბ—Dendrostomum pyroides.



სირანო დე ბერჟერაკი.

ვალჯერ აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ, რაზედაც მეტყველებს მის კედლებზე დაცული წარწერები. ერთ-ერთი მათგანიდან ვგებულობთ, რომ თბილელ ეპისკოპოსს ელისე საგინაშვილს 1657 ხელმეორედ აუშენებია სიონის გუმბათი, მოუხატვინებია და მოურთავს კარიბჭე. მეორე, 1710 წარწერა ვახტანგ VI-ს ეკუთვნის და ისიც ტაძრის განახლებაზე მოგვითხრობს. ს. განსაკუთრებით დაზიანდა 1795, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. XIX ს. დამდეგისათვის ტაძარი საფუძვლიანად აღადგინეს, ხოლო იმავე საუკუნის შუა წლებში ხელახლა მოიხატა რუსი მხატვრის გ. *გაგარინის* ესკიზების მიხედვით.

სიონიზმი [სიონის ბორცვის (იერუსალიმში) სახელწოდებიდან)], ებრაული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგია, რ-იც მიმართულია მშრომელი ებრაელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. იგი შოვინისტური, რასისტული და ანტიკომუნისტური იდეოლოგიაა.

ს., როგორც პოლიტ. მიმდინარეობა, იმპერიალიზმის ეპოქაში წარმოიშვა. მისი მიზანი იყო ებრ. მშრომელების ჩამოშორება რევ. ბრძოლისაგან. ამისათვის ს-ის იდეოლოგებმა წამოაყენეს „ებრაელთა საკითხის“ გადაწყვეტის გეგმა, რ-იც ითვალისწინებს დიდი სახელმწიფოების დახმარებით დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნას. ეს იდეა აისახა ს-ის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ავსტრ. ჟურნალისტის თეოდორ ჰერცლის წიგნში „ებრაული სახელმწიფო“ (1896). 1897 სიონისტთა I კონგრესზე გაფორმდა მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია.

ს-ის იდეოლოგიის თეორ. საფუძველია იუდაისტური რელიგია, საიდანაც აიღო მან დებულებები ებრაელი ხალხის ე. წ. „ღვთის რჩეულობის“, განსაკუთრებული ისტ. ბედის, „აღქმულ ქვეყანაში“ ებრაელთა აუცილებელი თავმოყრის შესახებ. სიონისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მიუხედავად სოც.-ეკონ., ყოფითი და კულტ. ცხოვრების განსხვავებული პირობებისა, ებრაელები წარმოადგენენ ექსტერიტორიულ „ერთიან მსოფლიო ებრაელ ერს“. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სიონისტური იდეა არსებითად ყალბი და რეაქციულია, ს-ის რეაქციული მზარე ანტისემიტიზმთან მის კავშირში ვლინდება. როგორც ერთის, ისე მეორის იდეოლოგები ამტკიცებენ, რომ ებრაელები არ არიან იმ ქვეყნის მოქალაქენი, სადაც ისინი ცხოვრობენ. ამიტომ მათ უნდა დატოვონ ეს ქვეყნები. ამის მიღწევას ანტისემიტები ებრაელთა დევნის გზით ცდილობენ, სიონისტები კი — სხვადასხვა პროპაგანდისტული ხერხით. ს. ყოველნაირად ავრცელებს ებრაელებს შორის კლასობრივი მშვიდობის ყალბ ვერსიას და კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოვლინებას გამცემლობად თვლის.

1948-იდან ს. ისრაელის სახელმწიფოს ოფიც. იდეოლოგია გახდა. იგი ყველა საშუალებით ცდილობს უზრუნველყოს ებრაელების თავმოყრა პალესტინაში, გააფართოვოს მისი საზღვრები. კერძოდ, ამ მიზანს ემსახურება არაბ. ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებული ომები. ს-ის ხელმძღვ. ცენტრები აშშ-სა და ისრაელშია. ს-ის უმაღლესი ორგანოა მსოფლიო სიონისტური კონგრესი. იგი ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სიონისტური ორგანიზაციების საქმიანობას 60-ზე მეტ კაპიტალ. ქვეყანაში. საერთაშ. ს-ში გვხვდება სხვადასხვა მიმართულება, მაგრამ მათი საბოლოო მიზანი და ამოცანა ერთია. მარქსისტები და საერთაშ. კომუნისტური მოძრაობა გმობდნენ და გმობენ ს-ს, როგორც ყალბ თეორიასა და მავნე პრაქტიკას. ს-ის წინააღმდეგ გამოდის თვით ებრაელი მოსახლ. მნიშვნელოვანი ნაწილი. გაერომ ს. შეაფასა, როგორც რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ბუნდის მდგომარეობა პარტიაში, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 7, გვ. 105—106; კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. მოსკოვი, 1969 წ. 5—17 ივნისი, თბ., 1969; *გაბიძაშვილი ო.*, სიონიზმი—ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგია, თბ., 1979; *ციცაგიშვილი ა.*, სიონიზმი და საბჭოთა სინამდვილე, თბ., 1972; Иванов Ю., Осторожно: сионизм!, М., 1972.

ო. გაბიძაშვილი.

სიონის წყალსაცავი, წყალსაცავი აღმ. საქართველოში, მდ. ივრის შუა წელში. დაბა სიონსა და სოფ. ლელოვანს შორის. შკავია სიონის ქვაბულის ფსკერი. წყალშემკრები აუზის ფართ. 587 *კმ*², სარკის ფართ. 12,8 *კმ*², წყლის საერთო მოცულობა 325,4 მლნ. *მ*³, სასარგებლო მოცულობა 290 მლნ. *მ*³, სშ. სიღრმე 25,4 *მ*, უდიდესი სიღრმე 67 *მ*. წყალსაცავი ხეობის ტიპისაა, ფსკერი დაფარულია თანამედროვე ალუვიონით. მარჯვ. ნაპირი ციცაბო და კლდოვანია, დაფარულია მძლავრი დელუვიური მასალით, აღინიშნება მეწყრული მოვლენები, მარცხ. ნაპირი დამრეცია. სანაპირო ფერდობების ზედა ნაწილი შემოსილია ფოთლოვანი ტყით, ქვედა კი მოკლებულია ხემცენარეულობას. საზრდოობს ძირითადად მდ. ივრის წყლით. განკუთვნილია მდ. ივრის ჩამონადენის მრავალწლიური რეგულირებისათვის. იყენებენ სარწყავად. სიონის ჰიდროკვანძი მცირე ჰესების კასკადის მოქმედებასაც განაპირობებს (მარტყოფის ჰესი, საცხენისის ჰესი, თეთრახევის ჰესი). მაქს. დონე იქლ. მეორე ნახევარშია, მინ. — მარტში. წყლის ტემპ-რა მერყეობს 2,7-იდან (თებ.) 21,7°C-მდე (აგვ.). ნოემბრიდან აპრ-მდე უმთავრესად ჰომოთერმიაა გაბატონებული, წლის დანარჩენ დროს მყარდება პირდაპირი ტემპ-რული სტრატიფიკაცია. ყინულოვანი მოვლენები სუსტადაა გამოხატული. საექსპლუატაციოდ გადაეცა 1963. თევზის რეწვა.

გ. გიგინეიშვილი.

სიორიძე გიორგი იასონის ძე [დ. 4 (17). II. 1911, ბათუმი], ქართველი საბჭ. მეტალურგი, საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1961), საქ. სსრ დამს. რაციონალიზატორი (1972). სკკპ წევრი 1940-იდან. 1932 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი. 1933-იდან 1974-მდე მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში ცვლის უფროსად, საამქროს უფროსად, მთავარ ინჟინრად. ლითონური მანგანუმის მიღების ელექტროლიზური მეთოდის დანერგვისათვის რ. *აგლაძესთან* ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1943). მისი მონაწილეობით დაინერგა აგრეთვე ლითონური ქრომის მიღების მეთოდები და საქართველოში სილიკატური აგურის წარმოების პროცესი. დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

სიპარისი იოსების [26. II (10. III). 1894, სოფ. კუსიაი, ახლანდ. რასეინიაის რ-ნი, ლიტვ. სსრ, — 5. IV. 1970, ვილნიუსი], ლიტველი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1954). 1920 მოღვაწეობდა სატირის თეატრ „ვილკოლაკისში“ (კაუნასი). 1923—25 ეროვნ. თეატრის, 1926—40 კაუნასის სახელმწ. თეატრის, ხოლო 1940-იდან ვილნიუსის ლიტვ. დრამის თეატრის მსახიობი იყო. როლები: შარუნასი (კრევე-მიცკიავიჩიუსის „შარუნასი“), ტელი (შილერის „ვილჰელმ ტელი“), მასხარა და სერ ტობი (შექსპირის „მეთორმეტე ღამე“), ვიშნევსკი (ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), ლიოვშინი (გორკის „მტრები“), ლიტვ. მსახიობთაგან პირველმა შექმნა სცენაზე ლენინის სახე სპექტაკლებში პოგოდინის „კრემლის კურანტები“ და ვიშნევსკის „დაუვიწყარი 1919“ (სსრკ სახელმწ. პრემია, 1952). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის 2 ორდენითა და მედლებით.

სიპინი (Sepia), *თავფეხიანების* გვარი ათფეხიანთა რიგისა. აქვს მოგრძო (25 *სმ*-მდე) სხეული, გვერდებზე ფარფლებით. მანტიის ქვეშ მოთავსებულია ნიჟარა, აქვს დიდი სამელნე ჯირკვალი, რ-ის სეკრეტსაც საშიშროების დროს წყალში გამოსვრის „მელნის ყუმბარის“ სახით; „ყუმბარა“ ფორმით თვითონ ს-ს წააგავს, რაც მტრის დეზორიენტაციას ახდენს, შეხებისას კი იგი ფეთქდება და ქმნის „ბოლის ფარდას“. ს. ფარფლებით ნელა ცურავს, მანტიიდან წყლის გამოსროლით (რეაქტიული მოძრაობა) კი—სწრაფად. ბინადრობს ტროპ. და ბინლ ზღვებში. მისი ხორცი იჭმება. სამელნე ჯირკვლის სეკრეტს იყენებენ ფერწერაში, როგორც მდგრად მუქ ყავისფერ საღებავს.

სიპინი, სიპინგაი, ქალაქი ჩინეთში, გირინის პროვინციაში. დაახლ. 300 ათ. მცხ. რკინიგზის სადგური. ხე-ტყის დასამუშ., ბამბეულის, კერამ., კვების მრეწვ., სინთეზური საწვავის წარმოება. ს-ის მახლობლად იღებენ ქვანახშირს.

სიპუნკულიდები (Sipunculida), ზღვის ჭიების ტიპი ან კლასი. მათი სხეულის სიგრძე 50 *სმ* აღწევს, დაუნაწევრებელია. წინა, ხორთუმისებრ ნაწილზე პირი შემოსაზღრულია მოკლე საცეცების გვირგვინით. აქვთ *ცელომი*. გამომყოფი სისტემა შედგება 3 (უფრო ხშირად 1) წყვილი მეტანეფრიდიისაგან. სისხლის მიმოქცევისა და ნერვული სისტემა მარტივია. ცალსქესიანები არიან. ს. მოიცავს 250-მდე სახეობას. ბინადრობენ გრუნტში. იკვებებიან წვრილი ცხოველებით. სსრკ-ში ბევრია ბარენცისა და შორეული აღმოსავლეთის ზღვებში.

სირაბიძეები, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ში (ზვარის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 380 *მ*, ქედიდან 9 *კმ*. ზვარის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეკენახეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. კვაშტაში (1,5 *კმ*).

სირაკიუსი (Syracusa), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ნიუ-იორკის შტატში. 170 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 642 ათ. (1980). ნავსადგური ერის არხზე. მანქანათსაშ., ქიმ., ელექტროტექ. და რადიოელექტრონული, ლითონდასამუშ. მრეწვ. და სხვ. იღებენ სუფრის მარილსა და კირქვას. უნ-ტი. ს. დაარსდა 1786.

სირაკუზა (Siracusa), ქალაქი და ნავსადგური სამხრ. იტალიაში, კ. სიცილიის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ნაწილობრივ კ. ორტიგჯაზე. სირაკუზის პროვ. ადმ. ცენტრი. 119 ათ. მცხ. (1980). საფეიქრო, ლითონდასამუშ., ცემენტის, კვების მრეწვ.; ს-ის მახლობლად ნავთობგადასამუშ. და ნავთობქიმ. ქ-ნებია. წარმოიშვა ძვ. *სირაკუსის* ადგილზე.

სირაკუსა (Syrakusai), ძვ. ბერძ. ქალაქ-სახელმწიფო კ. სიცილიის სამხრ.-აღმ. ნაწილში. დააარსეს კორინთელებმა ძვ. წ. 734, თავდაპირველად ქალაქს კ. ორტიგია ეკავა, მაგრამ თანდათანობით გაიზარდა და კონტინენტურ ნაწილს ხიდით უკავშირდებოდა. ს. მძლავრი კედლებით იყო გარშემორტყმული და 5 ნაწილისაგან შედგებოდა: 1. ორტიგია ათენასა და არტემიდას ტაძრებით, მძლავრი აკროპოლისით; 2. აქრადინე ფორუმით, ზევსის ტაძრით, თეატრითა და დიდი კატაკომბებით; 3. ტიქე, ქალაქის ყველაზე ხალხმრავალი ნაწილი გიმნასიონით; 4. ნეაპოლისი, სადაც იყო სიცილიაში ყველაზე დიდი თეატრი; 5. ეპიპოლე — ქალაქის ყველაზე მაღალი ნაწილი. ს-ს ჰქონდა ორი ყურე: დიდი (ჯაჭვით იკეტებოდა) და მცირე, გარშემორტყმული გემთსაშენითა და არსენალებით. ქალაქს დას-ით დიდი წყალსადენი ჰქონდა, რ-იც ათენელებმა ალყის დროს გადაჭრეს. ძვ. წ. V ს-ში ს-ში არის-

ტოკრატული მმართველობის ნაცვლად ტირანია (ძმები გელონი და ჰიერონი) დამყარდა, რ-იც მოკლე ხნით დემოკრატიამ შეცვალა, მაგრამ ძვ. წ. 406 ს-ში კვლავ ტირანიამ გაიმარჯვა (იხ. *დიონისე I, დიონისე II*). ს-ს ჰქონდა ომები ათენთან, რ-ებიც ს-ის სრული გამარჯვებით დამთავრდა, და კართაგენთან. I და II პუნიკურ ომებში ს. რომის მოკავშირე იყო, ხოლო ძვ. წ. 215 კართაგენის მხარეზე გადავიდა. ძვ. წ. 211 ორწლიანი ალყის შემდეგ რომაელებმა ს. აიღეს, დაანგრიეს და დაარბიეს. ქალაქს თაყვისი მანქანებით იცავდა სირაკუსელი *არქიმედე*. იმპ. ავგუსტუსი შეეცადა ს-ის აღორძინებას რომაელი კოლონისტების ჩასახლებით, მაგრამ ვერ შეძლო.

სირანო დე ბერჟერაკი (Cyrano de Bergerac) სავინიენ დე (6. III. 1619, პარიზი, — 28. VII. 1655, სანუა), ფრანგი მწერალი, პ. *გასენდის* მატერიალისტური ფილოსოფიის მიმდევარი, ფრონდისა და ლიბერტინაჟის თანამოაზრე. 1654 გამოაქვეყნა „სხვადასხვა ნაწარმოებები", რ-შიც გაერთიანდა მაზარინის პოლიტიკის განმაქიქებელი „სატირული წერილები", სქოლასტიკური აღზრდის წინააღმდეგ მიმართული კომედია „გამასხარავებული პედანტი" და რელიგ. ფანატიზმის მამხილებელი ტრაგედია „აგრიპინას სიკვდილი" (1653). ს. დე ბ-ის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია სამეცნ.-ფანტასტ. რომანები, რ-ებიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა: „სხვა სამყარო ანუ მთვარის სახელმწიფოებისა და იმპერიების კომიკური ისტორია" (1657) და „მზის სახელმწიფოებისა და იმპერიების კომიკური ისტორია" (1662). ს. დე ბ-ის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი ლეგენდა. მისი სახე უკვდავყო ე. *როსტანმა* პიესაში „სირანო დე ბერჟერაკი" (საქართველოში დაიდგა 1943 რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრში, რეჟ. მ. თუმანიშვილი, და 1967 რუსთავის სახელმწ. დრამატ. თეატრში, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე).

ი. *ბაჩიაშვილი.*

სირაძლემასნაირნი (Struthioniformes) უტროპო ფრინველების რიგი. აერთიანებს 1 ოჯახის ერთადერთ სახეობას — აფრიკულ სირაქლემას (Struthio camelus), რ-იც გაერცელებულია აფრ. ველებსა და ნახევრად უდაბნოებში. ავსტრალ. სამხრეში გვხვდება გაგარეულებული სახით. სსრკ-ში ნახევრად მოშინაურებულია და ბინადრობს ნაკრძალ ასკანია-ნოვაში. სირაქლემა ტანად ყველაზე დიდი ფრინველია. მისი სხეულის სიგრძეა 2,4 *მ*, მასა 136 *კგ*. დამახასიათებელია პოლიგამია. ბინადრობს პატარა გუნდების (5—6 ფრთა) სახით, იშვიათად გუნდში 30—40 ფრთაა. ერთ „ოჯახში" შემავალი 3—5 დედლიდან თითოეული საერთო ორმობუდეში დებს 6—8 კვერცხს. დღისით დედლები კრუხობენ, ღამით — მამალი. ინკუბაცია გრძელდება 5—6 კვირა. იკვებებიან ყლორტებით, ნაყოფებით, თესლებით, იშვიათად წვრილ-წვრილი ცხოველებით.

რ. ყორდანია.

სირაჯი, ღვინისა და არყის გამყიდველი ვაჭარი; ამ ჯგუფის ვაჭართა გაჩენა გამოიწვია საქართველოში XIX ს. II ნახევარში სავაჭრო მეღვინეობის განვითარებამ. ს. დამახასიათებელია აღმ. საქართვ. ქ-ებისათვის (თბილისი, თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, გორი, ცხინვალი, დუშეთი). დიდ ქ-ებში (თბილისი) ს-ები ცალკე ამქარს (ორგანიზაცია) ქმნიდნენ, შედარებით პატარა ქ-ებში (მაგ., სიღნაღი) კი სხვა ვაჭრული ელემენტებითურთ ერთ ამქარში ერთიანდებოდნენ. თბილისში მათი ძირითადი ცენტრი „სირაჯხანა" იყო. თბილისელ ს-ებს ღვინო და არაყი კახეთიდან, ქართლიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოჰქონდათ. ს-ები ღვინოს სოფლად შემოდგომით ყიდულობდნენ, ახალდაწურულ ღვინოს კი „იბეჭებდნენ" — ქვევრს ბეჭედს დაარტყამდნენ. ს-ები ღვინით ამარაგებდნენ ქ-ებს, დაბებს, ასევე სოფლებსა და სხვადასხვა ადგილში გაბნეულ სასადილოებს, დუქნებსა და სამიკიტნოებს.

ლიტ.: გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოპემა, თბ., 1963; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. 5, თბ., 1962; ს ი ნ ე ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ჯ., საქართველოს მეღვინეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, თბ., 1974.

ნ. აბესაძე.

სირბე რუდოლფ [17 (30). XII. 1904, ტარტუ, — 24. VIII. 1970, ტალინი], ესტონელი საბჭ. მწერალი. ესტ. სსრ დამს. მწერალი (1957). ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1924. ს-ს ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები „უცხოთა ძალაუფლება", „გზატკეცილზე" (ორივე 1927), „მოახლოებული დღის წინ" (1947), „ბილიკის ძახილი" (1954), „ქართაგან ნაჩენი" (1965); რომანები „ვითხოვთ მშვიდობას, პურს, მიწას!" (1929), „შავი ზაფხული" (1936), „მიწა და ხალხი" (1956). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სირბია, სოფელი ახალქალაქის რ-ში (კოჭიოს სოფსაბჭო), ახალქალაქის პლატოზე. ზ. დ. 1760 *მ*, ახალქალაქიდან 23 *კმ*. კოჭიოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. კოჭიოში (1 *კმ*). ბ-კა.

სირდარია, მდინარე სსრკ-ში. ყველაზე გრძელი და წყალუხვობით მეორე მდინარე (ამუდარიის შემდეგ) შუა აზიაში. წარმოიქმნება ნარინისა და ყარადარიის შეერთებით. ერთვის არალის ზღვას. სიგრძე 2212 *კმ*, ნარინის სათავიდან 3019 *კმ*. აუზის ფართ. პირობითად 219 ათ. *კმ*². ფერღანის ველზე მდ-ები ნარინი, ყარადარია და ს. განიერ (3 — 5 *კმ*) ჭალაში მიედინება, შემდეგ ს. ჰკეეთს ფარჰადის მთებს და ტაშკენტ-მშიერი სტეპის დეპრესიაში ქმნის ვრცელ (10—15 *კმ*) დაჭაობებულ ჭალას. ქვემოთში ს. ყიზილყუმის უდაბნოს აღმ. ნაწილში მიედინება. შესართავში დაჭაობებული დელტაა. ფერღანის ველზე 700-მდე სარწყავი არხია გაყვანილი, საკუთრივ ს-იდან— 50-მდე. დიდი არხებია: მდ. ნარინიდან — დიდი ფერღანის (იკვებება აგრეთვე ყარადარიიდანაც), დიდი ანდიჯანის, ჩრდ. ფერღანის; მდ. ყარადარიიდან— ანდიჯანსაის, შაარიხანსაის და სავაის; ს-იდან — ახუნბაბაევის სახ., სამხრ. მშიერი სტეპის. ს. საზრდოობს უმთავრესად თოვლის, ნაწილობრივ, მყინვარული და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის აპრ.-აგვ.-სექტ-ში. ს-ის რეჟიმი შუა და ქვემო დინებაში დარღვეულია უმთავრესად მისი სარწყავად გამოყენების გამო. ნარინისა და ყარადარიის შესართავის ქვემოთ წყლის საშ. წლ. ხარჯი 492 $მ^3/წმ$, ფერღანის ველიდან გამოსვლისას — 566 $მ^3/წმ$, მდ. ჩირჩიქის შესართავის ქვემოთ — 703 $მ^3/წმ$, ქ. კაზალინსკთან 444 $მ^3/წმ$. ს-ის ჩამონადენის რეგულირება ხდება წყალსაცავებით, რ-თა შორის ყველაზე დიდია ყაირაქყუმისა და ჩარდარის (ს-ზე), თოქთოგულის (მდ. ნარინზე), ანდიჯანის (მდ. ყარადარიაზე). ს-ის აუზში 61 პესია. ს. სანაოსნოა ცალკეულ მონაკვეთებზე შესართავიდან ბექაბადამდე. სარეწაო თევზებია: კობრი, ლოქო, ჭერეხი, შამაია, წვერა, წერი, კაპარჭინა, ქორჭილა. ს-ის ნაპირზეა ქ-ები: ლენინაბადი, ბექაბადი, ჩარდარა, ყიზილ-ორდა, კაზალინსკი.

სირდარია, ქალაქი (1971-იდან), უზბ. სსრ-ში, მდ. სირდარიის (დაშორებულია 10 *კმ*-ით) მარცხ. ნაპირზე. სირდარიის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. (სირდარინსკაია) ტაშკენტ—ხავასთის ხაზზე. რძის ქ-ნა, საშენ მასალათა კომბინატი. პედ. ინ-ტი.


სირდარიის ოლქი, შედის უზბ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1963 წ. 16 თებ. ფართ. 5,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 494 ათ. კაცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 31%. ცენტრი — ქ. გულისტანი.

ს. ო-ის ტერიტ. წარმოადგენს ტალღოვან ვაკეს, რ-ის ფარგლებში მდებარეობს *მშიერი სტეპის* ნაწილი; აღმ-ით მდ. სირდარიის ფართო ხეობაა. მთავარი მდინარეა სირდარია, რ-იც გამოყენებულია სარწყავად. ს. ო-ის მრეწვ. ემყარება ნედლი ბამბისა და სხვა სას.-სამ. ნედლეულის დამუშავება-გადამუშავებას. განვითარებულია მსუბუქი (ბამბასაწმენდი, სამკერვალო), კვების (ზეთსახდელ-ცხიმეული, რძის), საშენ მასალათა მრეწვ. დარგები. სოფ. მეურნეობაში წამყვანია მებამბეობა. მიწათმოქმედება განვითარებულია ძირითადად სარწყავ მიწებზე (არხები: კიროვის სახ., სამხრ. მშიერი სტეპის). ნათესების 60%-ზე მეტი მოდის ბამბაზე, მოჰყავთ აგრეთვე იონჯა, კარტოფილი, მარცვლეული, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები. მისდევენ მებაღეობას, მევენახეობას, განვითარებულია მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობა. ს. ო. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).


სირენა (ფრანგ. siréne<ბერძნ. seirēn— სირინოზი, მითოლ. ქალწული, რ-იც თავისი სიმღერით იტყუებდა ზღვაზე მოგზაურთ), აკუსტიკური გამომსხივარი, რ-ის მოქმედება დამყარებულია აირის (ან სითხის) ნაკადის პერიოდულ შეწყვეტაზე. სითხიანი ს. პრინციპულად არ განსხვავდება აირიანისაგან, მაგრამ შედარებით იშვიათად გამოიყენება ტექ. სიძნელეების გამო. მუშაობის პრინციპის მიხედვით ს-ები არის დინამ. (მბრუნავი) და მფეთქარი. ყველაზე გავრცელებულია დინამ. ს-ები, რ-ებიც ორგვარია: ღერძული და რადიალური (იხ. ნახ.). I შემთხვევაში ჰაერის ნაკადი ემთხვევა ბრუნვის ღერძს, II-ში — მიმართულია რადიუსის გასწვრივ ღერძის პერპენდიკულარულად. ღერძულ ს-ში ნახვრეტებიანი დისკო (როტორი) ბრუნავს უძრავი დისკოს (სტატორის) მიმართ, რადიალურ ს-ში როტორი და სტატორი წარმოადგენს 2 კოაქსიალურ (ჩვეულებრივ ცილინდრულ) ზედაპირს. ჰაერის პულსაციის სიხშირე (f) განისაზღვრება როტორის ან სტატორის ნახვრეტების რაოდენობითა (m) და როტორის ბრუნთა რიცხვით წუთში (N): $f = mN/60$ [*ჰც*]. სიხშირე (f) ძირითადია ს-ით გამოსხივებული ბგერის სპექტრში. პრაქტიკაში გამოყენებული ს-ების სიხშირეთა დიაპაზონი 200—300 *ჰც*-იდან 80—100 *კჰც*-მდეა, თუმცა ცნობილია 600 *კჰც*-მდე სიხშირით მომუშავე ს-ებიც. ს-ის სიმძლავრემ შეიძლება მიაღწიოს ათობით *კვტ*-ს. ს-ს იყენებენ შუქურაზე, გემზე,



სირაქლემასნაირნი. სირაქლემა (მამალი).



სირენები: ა—ღერძული; ბ—რადიალური; 1—ნახვრეტებიანი მბრუნავი დისკო (როტორი); 2—ძრავა; 3—უძრავი დისკო (სტატორი); 4—რუპორი; 5—რეზონატორი; 6—კამერა.





სირენისებრნი. ჩვეულებრივი სირენი.



სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

საფრთხის მაუწყებელ სისტემებში, აგრეთვე სხვადასხვა ტექნოლ. მიზნით (მაგ., წვრილდისპერსიული აეროზოლების კოაგულაციისათვის) და ა. შ.

სირენები (Sirenia), ზღვის ძუძუმწოვრების რიგი, რ-შიც გაერთიანებულია 3 ოჯახი: *ლამანტინისებრნი* (3 სახეობა), დიუგონისებრნი (Dugongidae, 1 სახეობა დიუგონი) და ზღვის ძროხისებრნი (Hydrodamalidae, 1 სახეობა — *ზღვის ძროხა*, რ-იც ამოწყდა XVIII ს-ში). ცხოვრობენ ზღვაში. ხმელეთზე არ გამოდიან. აქვთ მობლაგვებული თავი, რ-ის წვერზე ნესტოებია. აქვთ მასიური წინა ფარფლები, მოძრავი და მოკლე კისერი, ორლაპოტიანი კუდი, რ-იც ძირითადი სამოძრაო ორგანოა. იკვებებიან წყლის მცენარეებით. ლამანტინის მაკეობა გრძელდება 5—6 თვემდე, დიუგონისა — 11 თვემდე. შობენ თითო ნაშიერს. ს-ის რაოდენობა ყველგან კლებულობს და საჭიროებს საყოველთაო დაცვას. *ა. ჯანაშვილი.*

სირენისებრნი (Sirenidae), კუდიანი ამფიბიების ოჯახი. მათი სხეული წაგრძელებულია, უკანა ფეხები არ გააჩნიათ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებათ გარეგანი ლაყუჩები. აქვთ უქუთუთო და პატარა თვალები, ზედა ყბის ძვლის მაგიერ — რქოვანი ფირფიტა. გავრცელებული არიან ჩრდ. ამერიკაში. ყველაზე მეტად ცნობილია ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი სირენი (Siren lacertina), რ-ის სიგრძე 70 *სმ* აღწევს. მუქი მურა შეფერილობისაა. ცხოვრობს ჭაობებში. იკვებება უხერხემლო ცხოველებითა და პატარა პატარა თევზებით. *ა. ჯანაშვილი.*

სირეტი (რუმინ. Siret), მდინარე რუმინეთსა და სსრკ-ში. დუნაის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს უკრ. სსრ ჩერნოვცის ოლქში. სიგრძე 726 *კმ*, აუზის ფართ. 44 ათ. *კმ*². მიედინება აღმ.-კარპატების მთისწინეთისა და მოლდ. მაღლობის გამყოფ ხეობაში. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან 185 $მ^3/წმ$. გაძგიფულია დეკ.-ბოლოდან თებ.-ბოლომდე. ს-ის აუზში არის ჰესი. ხე-ტყის დაცურება. სანაოსნოა პატარა გემებისათვის მდ. ბირლადის შესართავის ქვემოთ. შესართავთან ახლოს, მდ. დუნაის ნაპირზე, არის ნავსადგური გალაცი (რუმინეთი).

სირვენტა (პროვანსული sirventes, ფრანგ. serventois); XII—XIII სს. პროვანსულ ლირიკაში: სტროფული სიმღერა, პოლემიკური ხასიათის ლექსი პოლიტ. და სოც. თემებზე (მაგ., ს-ში დატირებულია მაროკოელთა მიერ ესპ. მიწების მიტაცება, შექმნილია რაინდების ჯვაროსნული ლაშქრობანი, მხილებულია ფეოდალთა პარაზიტობა და ა. შ.). ს-ებს წერდნენ ტრუბადურები პეირე კარდენალი, *ბერტრან დე ბორნი*, მონტან სარტრი და სხვ. XIV—XVI სს. ს. რელიგ. ლირიკის ჟანრი იყო.

სირია, სირიის არაბთა რესპუბლიკა (ალ-ჯუმჰურია ალ-არაბია ალ-სურია).

I. ზოგადი ცნობები

ს.—სახელმწიფო დას. აზიაში. ჩრდ-ით ესაზღვრება თურქეთი, აღმ-ით და სამხრ.-აღმ-ით — ერაყი, სამხრ-ით — იორდანია, სამხრ.-დას-ით — ისრაელი, დას-ით და სამხრ-ით — ლიბანი. დას-ით აკრავს ხმელთაშუა ზღვა. ფართ. 185,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 10,9 მლნ. კაცი (1984, შეფასება). დედაქალაქი — დამასკი. ოფიც. ენა — არაბული. ერთვნ. დღესასწაულები — 8 მარტი — რევ. დღე (1963) და 17 აპრ. — ევაკუაციის დღე (1946). ოფიც. *კალენდარი* — მთვარის ჰიჯრა, იყენებენ აგრეთვე გრიგორიანულს. ფულის ერთეულია სირიის გირვანქა. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით (1985 აპრ.). 100 სირიის გირვანქა = 23,41 მანეთს. ადმინისტრაციულად ს. იყოფა 14 მუჰაფაზად (საგუბერნატოროდ).

II. სახელმწიფო წესწყობილება

ს. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1973 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახ. საბჭოს, რ-საც ირჩევს მოსახლ. საყოველთაო, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (მისი უფლებამოსილების ვადაა 7 წელი). აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო (მთავრობა). მინისტრთა საბჭოს თავ-რე და მინისტრები ანგარიშვალდებულნი არიან პრეზიდენტის წინაშე.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

III. ბუნება

ს-ის ტერიტ. უმეტესი ნაწილი 200—1000 *მ* სიმაღლის პლატოა. ქვეყნის დას. ნაწილში აღმართულია მთის მასივები ანსარია (სიმაღლე 1562 *მ*-მდე) და ანტილიბანი (სიმაღლე 2814 *მ*-მდე), სამხრ.-დას-ში — ელ-დრუზი (სიმაღლე 1803 *მ*-მდე). ს-ის სამხრ.-აღმ. ნაწილი უჭირავს სირიის უდაბნოს, ჩრდ.-აღმ. — ჯეზირეს პლატოს. ხმელთაშუა ზღვის გაყოლებით ვიწრო სანაპირო დაბლობია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ნავთობი, რკინის, მანგანუმის, სპილენძის, ქრომის, გოგირდის, ფოსფორიტების მადანი, ასფალტი, სუფრის მარილი, მურა ნახშირი.

ჰავა სუბტროპიკულია, ხმელთაშუა ზღვის ტიპისა. სანაპიროზე ზღვის ჰავაა. იანვ. საშ. ტემპ-რაა 12°C, აგვ. 27°C. ნალექები 700 *მმ*-ზე ნაკლები წელიწადში. ქვეყნის აღმ. ნაწილში მშრალი კონტინენტური ჰავაა. აგვ. საშ. ტემპ-რაა 32,8°C, ზამთარი თბილია (4—7°C). ნალექები სირიის უდაბნოში 100 *მმ*-მდეა წელიწადში. ზაფხულში ხშირად ქრის ცხელი ქარი ჰამსინი. ტერიტ. დიდი ნაწილი მოკლებულია ზედაპირულ ჩამონადენს. ბევრია უადი. ყველაზე დიდი მდინარეა ევფრატი და მისი შენაკადები ხაბური და ბელიხი. ს-ის ჩრდ.-აღმ. საზღვარზე მიედინება მდ. ტიგრი. ჩრდ.-დას. ნაწილისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მდ. ელ-ასის (ორონტი). ტბებიდან აღსანიშნავია ჰომსი. ფართოდ იყენებენ მიწისქვეშა წყალს.

პლატოზე ნახევარუდაბნოსა და უდაბნოს მცენარეულობაა (საქსაული, ცერცვეკალა, აბზინდა და სხვ.), ნიადაგი რუხია. სანაპიროზე და მთის კალთებზე მუხის, ფიჭვის, კვიპაროზის, დაფნის ტყეებია. ოაზისებში ხარობს ფინიკის პალმა, ციტრუსები და ბაღის კულტურები. ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. უდაბნოში მტაცებლებიდან გვხვდება ზოლებიანი აფთარი, მგელი, ტურა, კარაკალი; ჩლიქოსნებიდან — ანტილოპები, გარეული ვირი ონაგრი. ბევრია მღრღნელი და ქვეწარმავალი. მთაში, ტყიან ადგილებში, შემორჩენილია სირიის დათვი, გარეული ღორი, ტყის კატა, უტყეო მაღალ მთაში — ნიამორი.


IV. მოსახლეობა

მოსახლ. 90%-ს შეადგენენ არაბები. ცხოვრობენ აგრეთვე ქურთები, სომხები, თურქმენები, თურქები, ჩერქეზები, ბოშები და სხვ. მოსახლ. დაახლ. 85% მუსლიმანია (ძირითადად სუნიტები, დანარჩენი — შიიტები), 14%-ზე მეტი — ქრისტიანია.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 45%-ზე დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1983). ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული ლატაკიისა და ტარტუსის მუჰაფაზები (დაახლ. 170 კაცი 1 $კმ^2$-ზე), ყველაზე ნაკლებად — დაირ-ელ-ზავრის მუჰაფაზა (დაახლ. 9 კაცი 1 $კმ^2$-ზე). მოსახლ. დაახლ. 45% ქალაქში ცხოვრობს. უდიდესი ქალაქია დამასკი (1,3 მლნ. მცხ., 1984). დიდი ქ-ებია: ჰალაბი, ჰომსი, ჰამა, ლატაკია.

V. ისტორიული ნარკვევი

ს-ში ადამიანს ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის პერიოდში უცხოვრია. ძვ. წ. IV—III ათასწლ. ს-ის მოსახლ. დიდმა ნაწილმა ბინადარი ცხოვრება დაიწყო და ხელი მოჰკიდა მიწათმოქმედებას. ძვ. წ. III—II ათასწლ. ს-ში გაჩნდა პირველი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები. უკვე ძვ. წ. XVI—XV სს-ში ს. დაიმორჩილეს ეგვ. ფარაონებმა, ხოლო მისი ჩრდ. ნაწილი დაიპყრეს ხეთებმა. ძვ. წ. XIV ს-



1 არაბეთის სახელმწიფოს ტერიტორია; შენიშვნა. ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები ნაჩვენებია გართიანებული ერების ორგანიზაციის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად



სირიის უდაბნო.

ში ს-ის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ არამეელთა მომთაბარე ტომები, რ-ებიც შემდეგ ადგილ. ტომებს შეერივნენ. ძვ. წ. X ს-ში ს-ის დიდი ნაწილი შედიოდა იუდეა-ისრაელის სახელმწიფოში, რ-ის დაშლის შემდეგაც (დაახლ. ძვ. წ. 935) ს-ში წარმოიშვა ძლიერი სახელმწიფო, დედაქალაქი — დამასკი. ძვ. წ. VIII ს-ში იგი დაიმორჩილა ასურეთმა, ხოლო ძვ. წ. VII ს. დამლევს ს. ახალბაბილონური სამეფოს პროვინცია გახდა. ძვ. წ. VI ს-ში ს. სპარს. აქემენიდთა სახელმწიფოს ხელში გადავიდა, ძვ. წ. 333 კი იგი ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ ს. სელევკიდების ელინისტური სახელმწიფოს ცენტრი გახდა, ხოლო ძვ. წ. 64 რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

ახ. წ. IV ს. დამლევს ს. ბიზანტ. პროვინცია გახდა, არაბებმა 634—638 დაიპყრეს და ს-ში ახ. რელიგია — ისლამი გავრცელეს.

661—750, როცა დამასკი ომაიანთა სახალიფოს დედაქალაქი იყო, ს-მ პრივილეგირებული მდგომარეობა მოიპოვა. აბასიანთა გამეგებლობის პერიოდში (750—1258) ს-მ უპირატესობა ერაყს დაუთმო, თუმცა არაბთა ცხოვრებაში იგი კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აბასიანთა სახელმწიფოს ფეოდ. დაშლის პერიოდში (X ს.) ს-ში დაწინაურდნენ ადგილ. დინასტიები, რ-თაგან განსაკუთრებით ცნობილია ჰამდანიდთა დინასტია (945—1004), დედაქალაქი — ჰალაბი (ალეპო). X ს. II ნახევარში და XI ს. I ნახევარში ს-ის ნაწილი ეგვ. ფატიმიდების სახელმწიფომ დაიმორჩილა, ხოლო XI ს. 70-იან წლებში თურქ-სელჩუკთა ხელში გადავიდა. თურქ ფეოდალებს შორის დაიწყო გამუდმებული შინაბრძოლები, რამაც ხელი შეუწყო ს-ში და მის ტერიტორიაზე ანტიოქიის ქრისტ. სამთავროს წარმოშობას (1098), 1154 ს-ში განმტკიცდა ჰალაბის თურქი გამგებელი ნურ ალ-დინ მაჰმუდი (1146—74), მან დაიკავა დამასკი და დაიწყო ბრძოლა ჯვაროსნებისა და ფატიმიდების წინააღმდეგ. მისი საქმე განაგრძო წარმოშობით ქურთმა სარდალმა *სალაჰ ალ-დინმა*, რ-მაც 1169 ხელში ჩაიგდო ეგვიპტე, ხოლო 1174 წას შეუერთა ს-ის დიდი ნაწილი. 1187 ჰატინთან გამარჯვებით და იმავე წელს, იერუსალიმის აღებით, სალაჰ ალ-დინმა საგრძნობლად შეარყია ჯვაროსანთა პოზიციები ს.—პალესტინაში. აიუბიდების დინასტიის დაცემის შემდეგ ს-სა და ეგვიპტეში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბაჰრელმა (1250—1390), შემდეგ კი — ბურჯელმა მამლუქებმა (1330—1516).

1516 ს. ოსმ. იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია გახდა. ქვეყანა დაიყო დამასკის, ჰალაბისა და ტრიპოლის ეიალეთებად (1660 ცალკე გამოიყო საიდის ეიალეთი), რ-ებსაც თურქი ფაშები მართავდნენ. XVI—XVIII სს-ში აღმ. ამიერკავკ. და, კერძოდ, საქართვ. ქ-ები სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობას დას. ევროპასთან ს-ის ქ-ების, კერძოდ, ჰალაბის საშუალებით ამყარებდნენ.

ოსმ. სამხ.-პოლიტ. სისტემის ქმნვაე კრიზისის პირობებში ს-ში დაწინაურდა ადგილ. ალ-აზმის ოჯახი, რ-ის წარმომადგენლები, როგორც ოსმალთა სულთნის მოხელეები, ს-ს თითქმის მთელი XVIII ს. მანძილზე მართავდნენ. იმავე პერიოდში ნაყოფიერი იყო ოსმანფაშა ალ-ქურჯის (ქართველის) გამგებლობა დამასკში (1760—71). ოსმან-ფაშამ დიდი ყურადღება დაუთმო საპილიგრიმო გზის კეთილმოწყობასა და დაცვას, დაამყარა წესრიგი დამასკში, შეუმსუბუქა საგადასახადო ტვირთი დამასკელებს და ამგვარად ს-ის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გამგებლის სახელი დაიმკვიდრა.

1831—33 ს. დაიკავა ეგვ. ფაშამ *მუჰამად ალიმ*, რ-იც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი არაბ. სახელმწიფოს შექმნას. ევრ. სახელმწიფოების დახმარებით 1840 ოსმ. სულთანმა შეძლო ეგვიპტელების განდევნა და ს-ში თავისი უფლებების აღდგენა. I მსოფლიო ომის დროს ს-ის ტერიტ. გერმ.-ოსმ. ძირითადი ბაზა გახდა, სადაც განლაგდა ოსმ. IV არმია ჯემალ-ფაშას სარდლობით. 1915 მაისში დამასკში სირიელმა ნაციონალისტებმა მექის შერიფის შვილის ამირა ფაისალის მონაწილეობით შეიმუშავეს გეგმა, რ-იც ითვალისწინებდა ინგლისთან თანამშრომლობას და ომის შემდეგ აზიის დამოუკიდებელი არაბ. სახელმწიფოს შექმნას. 1918 წ. 30 სექტ. ინგლისელებზე ერთი ღღით ადრე, ამირა ფაისალის ჯარი შევიდა დამასკში, ხოლო ოქტ-ში მთელი ს. ინგლისელებმა დაიკავეს. ს-ის ტერიტორიაზე ინგლისელებისა და ფაისალის ჯარების გარდა აღმოჩნდა საფრ. ჯარიც, რ-მაც დაიკავა სანაპირო ზოლი. ქვეყნის ოკუპაციამ მოსახლ. აღშფოთება და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია.

1919 წ. 15 სექტ. ინგლ.-საფრ. შეთანხმების საფუძველზე ს-ში დამყარდა საფრ. საოკუპაციო რეჟიმი, რ-საც ახ. დემონსტრაციები და საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა. 1920 მარტში ეროვნ. კონგრესმა ს. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, ხოლო ამირა *ფაისალ I* მეფედ აირჩია. ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ 1920 წ. 26 აპრ. სან-რემოს კონფერენციაზე ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ ს-სა და ლიბანში სამანდატო სისტემის შექმნის საკითხზე (ერთა ლიგის საბჭომ საფრ. მანდატი დაამტკიცა 1923). მიუხედავად სირ. ხალხის სასტიკი წინააღმდეგობისა, ფრანგებმა 1920 წ. 25 ივლ. დაიკავეს დამასკი და ფაისალ I ს-იდან გააძევეს. მთელი ძალაუფლება საფრ. უმაღლეს კომისარს გადაეცა. სირ. ხალხის სოც. და ეროვნ., ჩაგვრის გაძლიერების პირობებში მებრძოლი ავანგარდი გახდა ს-ის კომპარტია, რ-იც 1924 შეიქმნა.

1925—27 ს-ში ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გაძლიერებამ აიძულა სამანდატო ხელისუფლება (იხ. *სირიის ეროვნული აჯანყება 1925—27*) გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. 1930 წ. 22 მაისს საფრ. უმაღლესმა კომისარმა გამოსცა ე. წ. „ორგანული სტატუტი" (კონსტიტუცია), რ-ითაც ს. ცხადდებოდა რესპუბლიკად, ძალაში რჩებოდა საფრ. სამანდატო რეჟიმი (ჯებელ-დრუზი და „ალავიტების სახელმწიფო" ამ სტატუტით ს-ში არ შედიოდა). 1931 დეკ-ში აირჩიეს ს-ის პირველი პარლამენტი, სადაც ადგილების უმეტესობა ფეოდ.-კომპრადორული წრეების წარმომადგენლებმა დაიკავეს. მასების პოლიტ. აქტივობის შემდგომი გაძლიერების ვითარებაში ფრანგებმა 1939 ყოფილი ალექსანდრეტის სანჯაყი თურქეთს გადასცეს, პარლამენტი დაშალეს და კონსტიტუცია გააუქმეს.

II მსოფლიო ომის დაწყების წინ ს. საფრ. კოლონიის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1939 აქ საფრ. სამხ. დიქტატურა დამყარდა, ხოლო საფრ. კაპიტულაციის შემდეგ (1941 ივნ.) ს. „ვიშის" ადმ. ხელში გადავიდა. 1942 წ. 8 ივნ. ს-ში შეიჭრნენ ინგლ. და „თავისუფალი საფრანგეთის" სამხ. ნაწილები და 21 ივნ. დაიკავეს დამასკი. 1943 წ. 17 აგვ. ს-ის ახ. პარლამენტმა ს-ის პრეზიდენტად აირჩია შუქრი ალ-კუათლი. 1944 ს-ის მთავრობას ფრანგებმა გადასცეს ძირითადი ადმ. ფუნქციები. უკვე იმავე წლის 22 ივლ. ს-მ დიპლ. ურთიერთობა დაამყარა საბჭ. კავშირთან, 1945 თებ-ში ომი გამოუცხადა ფაშისტურ გერმანიას და იაპონიას, მარტში მონაწილეობა მიიღო არაბ. ქვეყნების ლიგის შექმნაში, 24 ოქტ. მიიღეს გაეროს წევრად. 1946 წ. 17 აპრ. ქვეყნის ტერიტ. დატოვა უკანასკნელმა უცხოელმა ჯარისკაცმა. ეს დღე სირ. სალხის ეროვნ. დღესასწაულად ითვლება. 1948 ს-მ მონაწილეობა მიიღო არაბ.-ისრაელის პირველ ომში. 1951 პოლკ. ადიბ შიშეკლიმ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და ს-ში სამხ. დიქტატურა დაამყარა, მაგრამ სახ. მოძრაობამ, რ-საც არმიაც შეუერთდა, აიძულა იგი 1954 ქვეყნიდან გაქცეულიყო.

1958 წ. 22 თებ. ს. და ეგვიპტე გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ და შეიქმნა არაბთა გაერთ. რესპუბლიკა (აგრ). 1961 წ. 28 სექტ. სახ. გადატრიალების შემდეგ ს. გამოვიდა აგრ-ის შემადგენლობიდან. 1966 წ. 23 თებ. სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ მემარცხენე ბაასელები. 1967 ივნ. ს. მონაწილეობდა არაბ. ქვეყნებსა და ისრაელს შორის დაწყებულ ომში, რის შედეგადაც დაკარგა თავისი ტერიტ. ნაწილი. ისრაელთან წარუმატებელი ომის შემდეგ ს-ში წარმოიშვა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტ. გართულებები. ასეთ ვითარებაში ბაასის პარტიის პროგრესულად განწყობილმა ჯგუფმა ჰაფეზ ალ-ასადის მეთაურობით 1970 წ. 16 ნოემბ. ხელში აიღო ძალაუფლება. იმავე წლის 21 ნოემბ. შეიქმნა ს-ის „ეროვნული ერთიანობის" მთავრობა, რ-შიც ბაასელებთან ერთად შევიდნენ სხვა პროგრ. პარტიების, კერძოდ, კომპარტიის წარმომადგენლებიც. აირჩიეს ახ. პარლამენტი, ხოლო 1971 წ. 12 მარტს ჰაფეზ ალ-ასადი ს-ის პრეზიდენტი გახდა. 1972 წ. 7 მარტს შეიქმნა პროგრ. ეროვნ. ფრონტი, რ-ის ცენტრ. ხელმძღვანელობის თავ-რედ დაინიშნა ჰაფეზ ალ-ასადი. 1973 წ. 12 მარტს საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად მიიღეს ს-ის მუდმივი კონსტიტუცია. 1973 ოქტ-ში ს. სხვა არაბ. ქვეყნებთან ერთად მონაწილეობდა ომში ისრაელის წინააღმდეგ.

1978 სექტ-ში აშშ-ის ინიციატივით ისრაელსა და ეგვიპტეს შორის დადებულ კემპ-დეივიდის შეთანხმების წინააღმდეგ ს-მ ლიბიასთან, ალჟირთან, იემენის სახ.-დემოკრ. რესპუბლიკასთან და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან ერთად შექმნა „სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნ. ფრონტი" და გაწყვიტა დიპლ. ურთიერთობა ეგვიპტესთან. 1979—80 ს-ის პროგრ. საშინაო და საგარეო პოლიტ. კურსის წინააღმდეგ გამოვიდა რეაქციული არალეგალური „მუსლიმი ძმების" ორგანიზაცია. ს-ის მთავრობამ მიიღო გადამჭრელი ზომები საშინაო რეაქციის ძირგამომთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად.

ს-ის ჯარი როგორც „საარაბთაშორისო უშიშროების ძალების" შემადგენელი ნაწილი, იმყოფება ლიბანში არაბ. ქვეყნების ელ-რიადის (1976 ოქტ.) თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე. 1980 მოსკოვში სსრკ და ს-ს შორის დაიდო მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ლიტ.: ტიკაძე ვ., იბნ ჯაასის ცნობები ოსმალეთის მიერ სირიის ქალაქების დაპყრობის შესახებ, კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 2, თბ.



სირია. ელ-საურა. ქალაქის ნაწილის ხედი.

1972; მ ი ს ი ვ ე, ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობანი სირიის ქალაქებთან და ლევანტის ვაჭრობა XVI—XVIII საუკუნეებში, კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1970; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., თანამედროვე სირია, თბ., 1979; Базили К. М., Сирия и Палестина под турецким правительством в историческом и политическом отношениях, М., 1962; Луцкий В. Б., Национально-освободительная война в Сирии (1925—1927 гг.), М., 1964; Смилянская И. М., Социально-экономическая структура стран Ближнего Востока на рубеже нового времени (На материалах Сирии, Ливана и Палестины), М., 1979; Hitti Ph. K., History of Syria, L., 1959; Tibawi A. L., A modern history of Syria, L.—N. Y., 1969.

მ. ტიკაძე.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია (ასაპ), მმართველი პარტია. დაარსდა 1947; სირიის კომუნისტური პარტია (სკპ), დაარსდა 1924; არაბთა სოციალისტური კავშირი (ასკ), დაარსდა 1964; არაბთა სოციალისტური პარტია (ასპ), დაარსდა 1950; პარტია სოციალისტების — იუნიონისტების (პსი); მუშათა პროფკავშირების საყოველთაო ფედერაცია (მპსფ), შეიქმნა 1938; გლეხთა საყოველთაო ფედერაცია (გსფ), შეიქმნა 1964.

ასაპ, სკპ, ასკ, ასპ, პსი, მპსფ და გსფ შედის პროგრესულ ეროვნ. ფრონტში (შეიქმნა 1972, თავ-რე ჰ. ასადი). სირიასაბჭ. კავშირის მეგობრობის საზოგადოება, შეიქმნა 1967.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ს. აგრ. ქვეყანაა. თურქი დამპყრობლებისა და ფრანგი კოლონიზატორების ბატონობამ განაპირობა ეკონ. განვითარების დაბალი დონე. 1960-იანი წლებიდან ქვეყანაში მოხდა პროგრ. სოც.-ეკონ. გარდაქმნები. სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა სამრეწვ. საწარმოთა დიდი ნაწილი, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების ნახევარზე მეტი. კერძო სექტორს წამყვანი პოზიციები უჭირავს სოფ. მეურნეობაში, საშინაო ვაჭრობასა და შინასარეწებში. სახელმწიფოს წილად მოდის (1983) მთლიანი ეროვნ. პროდუქტის (76,9 მლრდ. სირიის გირვანქა) დაახლ. 65%. ს-ის ეკონ. განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ტექ.-ეკონ. თანამშრომლობამ სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებთან. სსრკ-ის დახმარებით აშენდა ევფრატის ჰიდროელერგეტ. კომპლექსი, გაიყვანეს ლატაკია—კამიშლის რკინიგზა (სიგრძე 750 *კმ*), აითვისეს ნავთობის საბადო ჯებისი და სხვ.

სოფლის მეურნეობა ს-ის ეკონ. საფუძველია. 1960-იან წლებამდე ქვეყანაში ჭარბობდა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა და წვრილი გლეხური მიწათსარგებლობა. 1963 აგრ. რეფორმით განისაზღვრა მიწათსარგებლობის ზღვარი, ზედმეტი მიწები ჩამოერთვა მემამულეებს და გადაეცა უმიწაწყლო გლეხებს. შეიქმნა სას.-სამ. კოოპერატივები. 1982 სოფ. მეურნეობაში გამოყენებული იყო 35,5 ათ. ტრაქტორი და 3 ათ. კომბაინი.

მუშავდება დაახლ. 6 მლნ. *ჰა* მიწა, აქედან დაახლ. 2 მლნ. *ჰა* სარწყავია. ნათესი ფართობის დაახლ. 70% უჭირავს მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს. მოჰყავთ (ათ. ტ, 1983): ხორბალი 1612, ქერი 1043, ოსპი — 56,7, ბამბა —526,3, შაქრის ჭარხალი — 971, კარტოფილი — 321, პამიდორი — 156, ზეთისხილი — 376, ყურძენი — 378, თამბაქო — 16,8.

მეცხოველეობა ექსტენსიური ხასიათისაა. 1983 ს-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 769, ცხვარი — 11403, თხა — 918, აქლემი — 129,6, ცხენი—49,8, ჯირი — 231,8, ჯორი — 37,2, შინაური ფრინველი — 47,1 მლნ. ფრთა. მისდევენ თევზჭერას (3,1 ათ. ტ, 1982).

მრეწველობაში ჭარბობს წვრილი და ნახევრად შინამრეწველური საწარმოები. სასარგებლო წიაღისეულიდან იღებენ ნავთობს (8,5 მლნ. ტ, 1983), ფოსფორიტებს (1,2 მლნ. ტ, 1983), სუფრის მარილს. მთავარი ენერგეტ. წყაროა ნავთობი. 1983 აწარმოეს 6,3 მლრდ. *კვტ · სთ* ელექტროენერგია. დამუშავებითი მრეწვ. დარგებიდან გამოიყოფა საფეიქრო მრეწვ., რ-იც იძლევა მრეწვ. მთლიანი პროდუქციის დაახლ. 1/3-ს. ამზადებენ უმთავრესად ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს. არის კვების (მ. შ. საფქვავი, ზეთსახდელი, ღვინის, შაქრის, საკონსერვო, თამბაქოს), ტყავის, ფეხსაცმლის, საშენ მასალათა წარმოება. 1960-იანი წლების შემდეგ აშენდა ნავთობგადასამუშ., ფოლადსაგლინი, მინერ. სასუქების, ტრაქტორთსაამწყობო, ელექტროძრავების, რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოები. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია დამასკი, ჰალაბი, ჰამა, ჰომსი. ძველთაგანვე განვითარებულია შინამრეწველობა — სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, ტყავის ნაკეთობათა დამზადება, ხალიჩების ქსოვა.

ტრანსპორტი. 1983 შიგა გადაზიდვების დაახლ. 72% მოდიოდა ავტოტრანსპორტზე, სადაც ჭარბობს კერძო კაპიტალი. რკინიგზის სიგრძეა 2,2 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა — 19,5 ათ. *კმ* (აქედან 16,4 ათ. *კმ* მაღარსაფრიანია), სახელმწ. ნავთობსადენებისა — 900 *კმ*. 1983 ავტოპარკში იყო 239,1 ათ. ავტომობილი, მ. შ. 151,6 ათ. — მსუბუქი. მთავარი საზღვ. ნავსადგურებია ბანიასი, ტარტუსი და ლატაკია. დამასკში არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი.

საგარეო ვაჭრობა. 1982 ექსპორტმა შეადგინა 7954 მლნ. სირიის გირვანქა, იმპორტმა — 15757 მლნ. გააქვთ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბამბა, ტყავი, მატყლი, ფოსფორიტები და სხვ. შეაქვთ მინერ. სათბობი, ნავთობპროდუქტები, მანქანა-მოწყობილობა და სატრანსპ. საშუალებანი, ლითონები და ლითონის ნაკეთობანი, სურსათი, საფეიქრო და ცელულოზა-ქაღალდის ნაწარმი, ქსოვილი და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: ექსორტში — იტალია, რუმინეთი, სსრკ, საფრანგეთი, საბერძნეთი; იმპორტში — ირანი, ერაყი, საუდის არაბეთი, იტალია, საფრანგეთი, გფრ.

განვითარებულია უცხოეთის ტურიზმი.

VIII. შეიარაღებული ძალები

შედგება სახმელეთო, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ჯარებისაგან. საერთო რაოდენობაა დაახლ. 227,5 ათ. კაცი (1978). უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. სახმელეთო ჯარები ითვლის 200 ათ. კაცს, სამხ.-საჰაერო ძალები კი — 25 ათ. კაცს და დაახლ. 400 საბრძოლო თვითმფრინავს. სამხ.-საზღვ. ძალების (2,5 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 2 ფრეგატი, 1 საგუშაგო ხომალდი, 3 ტრალერი და 20 რაკეტული და სატორპედო კატარღა. შეიარაღება და ტექნიკა უცხ. წარმოებისაა. შეიარაღებული ძალები კომპლექტდება სამხ. ვალდებულების კანონის საფუძველზე და დაქირავების გზით. გასაწვევი ასაკია 19—40 წელი. სამსახურის ვადა — 2,5 წელი.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1983 შობადობა 1 ათ. მცხოვრებზე შეადგენდა 46,4, სიკვდილიანობა — 7,7; ბავშვთა სიკვდილიანობა — 56,7 ყოველ 1 ათ. ცოცხლადშობილზე. ჭარბობს ინფექციური და პარაზიტული პათოლოგია. სიკვდილის ძირითადი მიზეზებია გულის-სისხლძარღვთა, ინფექციური და სუნთქვის ორგანოების დაავადებანი.

1981 ს-ში იყო 151 საავადმყოფო დაწესებულება 10,3 ათ. საწოლით (დაახლ. 1 საწოლი 1 ათ. მცხ.). საავადმყოფოსგარეშე დახმარებას უწევდნენ საავადმყოფოების პოლიკლინიკების განყ-ბები, ჯანდაცვის ცენტრები, დისპანსერები, ამბულატორიები, აგრეთვე კერძო პრაქტიკის მქონე ექიმები. 1981 მუშაობდა 4,2 ათ. ექიმი (1 ექიმი 2,5 ათ. მცხ.), 1,4 ათ. სტომატოლოგი, 1,9 ათ-მდე ფარმაცევტი, 1,9 ათ. მეანი, 5,9 ათ. მედდა. ექიმებს ამზადებენ 3 უნ-ტის სამედ. ფაკ-ტებზე.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

1970 მოსახლ. 70% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1971 — მიიღეს სავალდებულო დაწყ. განათლების პროგრამა. არის რელიგ. სკოლები. 1984 მოქმედებდა 6-წლიანი დაწყ. სკოლები (სახელმწ., კერძო, იუნესკოს დახმარებით აშენებული, 1100 ათ-მდე მოსწ.), 3-წლიანი არასრული და სრული საშ. სკოლები (სახელმწ. კერძო და იუნესკოსი, 355 ათ. მოსწ.), 50-ზე მეტი პროფტექ. სასწავლებელი (15 ათ-მდე მოსწ.). დაწყ. სკოლისა და არასრული საშ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს 22 პედ. კოლეჯი (5 ათ-მდე მოსწავლე); პალაბში არის პროფტექ. განათლების ცენტრი; ს-ში 3 უნ-ტია — დამასკის (1923), პალაბის (1960) და ლატაკიის (1971), არის 83 უმაღლესი სკოლა და საშუალედო ინ-ტი (ყველა სახელმწიფო სწავლება ფასიანია, სულ 50 ათ-მდე სტუდენტი). სამეცნ. მუშაობას კოორდინაციას უკეთებს მეცნ. და ხელოვნ. საქმეთა უმაღლესი საბჭოები. არის არაბეთის აკადემია (1919) და დამასკის აკადემია (1919). სსრკ-ის დახმარებით დაპროექტებულია პიდროტექ. ნაგებობანი, ნავთობის, მადნეულის, ფოსფორიტების საბადოები და სხვ.

ს-ის ბ-კებია: ეროვნ. ბ-კა ზაჰირია დამასკში (დაარსდა 1880, 68 ათ. ტ., 12 ათ. ხელნაწერი), დამასკის უნ-ტის ბ-კა (1924; 103 ათ. ტ.), ეროვნ. ბ-კა პალაბში (1924); დიდი მუზეუმებია — ეროვნ. მუზეუმი (1919), ხალხ. ხელოვნ. მუზეუმი (აზემის სასახლე დამასკში), პალმირის მუზეუმი (1961) და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

ს-ის მნიშვნელოვანი გამოცემებია: ყოველდღიური გაზეთები — „ალ-ბაასი" (1962-იდან, ტირაჟი 40 ათ.) — არაბთა სოციალ. აღორძინების პარტიის ორგანო; „ალ-ჯამაჰირ ალ-არაბია" (ტირაჟი 10 ათ.); ყოველკვირეულები: „კიფაჰ ალ-უმმალ ალ-იშთირაქი" (1966-იდან, ტირაჟი 40 ათ.)—ს-ის მუშათა პროფკავშირის საყოველთაო ფედერაციის ორგანო; ს-ის კომპარტიის ორგანოა გაზ. „ნიდალ ალ-შააბი" (1934-იდან). ს-ის მთავრობის საინფორმაციო სააგენტო დაარსდა 1965 დამასკში, ოფიციალურად მოქმედებს 1966-იდან. ს-ის რადიოგადაცემები დაიწყო 1946-იდან, ტელევიზიისა — 1960-იდან.

XII. ლიტერატურა

ს-ის ლიტ-რა საერთო არაბული ლიტრის შემადგენელი ნაწილია. კლასიკური პერიოდის არაბ. ლიტ-რის უდიდესი წარმომადგენლები *აბუ თამამი, ალ-ბუხთური, ალ-მუთანაბი, აბუ ფირასი*, აბუ ლ-ალა ალ-მაარი და სხვ. წარმოშობით სირიელები იყვნენ, ან ს-ში მოღვაწეობდნენ.

ლიტ. ცხოვრების ხანგრძლივი დაქვეითების შემდეგ XIX ს. და XX ს. დასაწყ. კულტ. გამოცოცხლების, ახ. არაბ. ლიტ-რის ჩამოყალიბების, საგანმან. მოძრაობის, მუსლ. რეფორმაციის, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მომზადების პერიოდი გახდა. იგი ცნობილია „ნაჰდის" (აღორ-

ძინების) სახელწოდებით. საგანმან. მოძრაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა 50—70-იან წლებში. ფრანსის მარაში (1836—1873), რიზკალლაჰ ჰასუნი (1825—1860), აბდ ალ-რაჰმან ალ-ქავაქიბი (1849—1903), ადიბ ისჰაკი (1856—1885) და სხვ. იღვწოდნენ ეროვნ. კულტურის აღორძინებისა და მასების განათლებისათვის. XX ს. დასაწყისში მოთხრობის, ნოველის, ესეის ჟანრების შემოტანა უმთავრესად ამერიკაში მცხოვრებ ემიგრანტთა „სირიულ-ამერიკული სკოლის" წარმომადგენელთა დამსახურებაა.

I მსოფლიო ომის შემდეგ ს-ის მხატვრული პროზის განვითარებაში დიდი იყო მაარუფ ალ-არნაუთის (1892—1948) წვლილი. 30—40-იან წლებში იქმნებოდა მშრომელი ხალხის ყოფის ამსახველი რეალისტური ნოველები [ფუად ალ-შაიბი, ჰანა მინა (დ. 1922), ვასფი ალ-ბუნი].

1951 შეიქმნა ს-ის მწერალთა ასოციაცია, რ-იც შემდეგ შეიცვალა „არაბი მწერლების ლიგის" (1954) შემადგენლობაში. რეალისტურია პოეტ აჰმედ სულეიმან ალ-აჰმედის, პოეტისა და ნოველისტის შაუკი ბაღდადის (დ. 1928), ნოველისტების მავაჰიბ ალ-ქაიალის (დ. 1919), საიდ ჰაურანიას და სხვ., აგრეთვე ახ. თაობის მწერლებისა და პოეტების აბდალაჰ ალ-იდის, მუჰამედ იდის, აბდ ალ-ჰადის, ალ-ბაქარის და სხვ. შემოქმედება. მწერალ ქალთაგან აღსანიშნავი არიან ვიდად საქაქინი, ალიფა ალ-აულაბი, იუსრა ალ-ბიზრი.

ლიტ.: წერეთელი გ., ემინ რიჰანი. «მნათობი», 1945, № 4—5; Долинина А. А., Очерки истории арабской литературы нового времени. Египет и Сирия, М., 1973; Крачковский И. Ю., Избр. сочинения, т. 3, М.—Л., 1956; Литература Востока в новейшее время (1917—1945), М., 1977. *ბ. ქუთელია.*

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ს-ის ხელოვნ. უძველესი ძეგლები ნეოლითისა (დემირ-ქაფუს კლდის მხატვრობა და სხვ.) და ენეოლითის (უგარითი, თალ-ჰალაფი) ხანას მიეკუთვნება. ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნამუშევრებში ჩანს შუმერების გავლენა. II ათასწლ. I ნახევარში ქალაქ-სახელმწიფოების (მარი, უგარითი) განვითარებასთან ერთად ვითარდება ხელოვნებაც. ამ ხანებში შენდება სასახლეები, ტაძრები, იქმნება ქვის ქანდაკება. ძვ. წ. XVI—XIV სს-ში ხელოვნება განიცდის ძვ. ეგვ. და ეგეოსის კულტურის გავლენას, ხეთების გაბატონების შემდეგ — ხეთებისას. ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისისათვის საბოლოოდ ყალიბდება ს-თვის დამახასიათებელი სასახლე-ტაძრის ტიპი „ბით-ჰილანი". ძვ. წ. IX ს-ში ჭარბობს ასირიული ხელოვნ. გავლენა. ძვ. წ. IV ს. დასასრ. — ახ. წ. IV ს-ში ს-ის ხელოვნება ელინისტური კულტურის წიაღში ვითარდება (მსხვილი ცენტრები — დურა-ევროპოსი, პალმირა, სადაც არქეოლ. გათხრებით გამოვლენილია ანტ. ქალაქის დიდი ნაწილი).

ბიზანტიის პერიოდში, V—VI სს-ში, ს-ში ყალიბდება მკაფიო თავისებურებების მქონე საკულტო ხუროთმოძღვრება. ვრცელდება 3-ნავიანი ბაზილიკები (ქალბ-ლუზეჰის ბაზილიკა, დაახლ. 480). შენდება სხვადასხვა ტიპის გუმბათოვანი ეკლესიებიც (ეკლესია „გალავანს გარეთ" რუსაფაში, 569—86). უმნიშვნელოვანესი ძეგლია კალათ-სემანის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, V ს. (ჯვარისებრ განლაგებული ოთხი სამნავიანი ბაზილიკა, გუმბათით გადახურული შუა რვაწახნაგა დარბაზით), რ-იც შეიქმნა სიმეონ მესვეტის სვეტის გარშემო. დამახასიათებელია თლილი ქვის მარტივი, მასიური ფორმები. ჩრდ. ს-ში შენარჩუნებულია რომაულ-ელინისტური ტრადიციები (პროფილები, ორნამენტაცია, ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალი). სახვ. ხელოვნ. დარგთაგან განვითარებულია ქვაზე და ძვალზე კვეთა, იატაკის მოზაიკა, წიგნის მინიატურა („რაბულას სახარება", 586, ბ-კა ლაურენციანა, ფლორენცია). არაბთაგან დაპყრობის შემდეგ (VII ს.) ს. არაბ. შუა საუკ. კულტურის ერთ-ერთი ცენტრია. ბიზ. რომისა და ბიზანტ. სამშენებლო ხელოვნ. გამოცდილებით შენდება მრავალსვეტიანი მეჩეთები (ომაიანების მეჩეთი დამასკში), სასახლე-რეზიდენციები (კასრ ელ-ჰაირ ელ-ღარბიში). სახვ. ხელოვნებაში შენარჩუნებულია ელინისტური და ადრინდ. ბიზანტ. ტრადიციები, თანდათან ფეხს იკიდებს დახვეწილი ორნამენტაცია. X ს-ში ყალიბდება არაბ. შუა საუკ. ქალაქი. ს-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია ჯვაროსანთა რომანული ციხე-სიმაგრეების ნაშთები, მამლუქთა ხანის (XIII ს. — 1516) ხუროთმოძღვრული ძეგლები. XIII—XIV სს-ში აყვავდა წიგნის მინიატურა. დეკორ. გამოყენებით ხელოვნებაში აღსანიშნავია ლუსტრით მოხატული კერამიკა, მინის ნაწარმი, ჭედურობა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში (1516—1918) იგრძნობა თურქ. ხელოვნ. გავლენა. 1920—30-იანი წწ. არქიტექტურა ფრანგ. ხუროთმოძღვრების გავლენით ვითარდება. 50-იან წლებში იწყება ძიება თანამედროვე კონსტრუქციებთან ეროვნ. ფორმების შეხამებისა. 50—60-იან წლებში ფერწერა განიცდის მოდერნიზმის ზეგავლენას. ამავე დროს გავრცელებულია ტენდენციები, რ-ებშიც პროგრ. სოც.-ხაზ. შინაარსი შეხამებულია ევროპული რეალიზმის ფორმებთან ან შუა საუკ. ეროვნ. მხატვრ. ტრადიციებთან (მაჰმუდ ჯალალი, ნაიმ ისმაილი, ლუაი ქაიალი). ნაკლებად არის განვითარებული ქანდაკება (მაჰმუდ ჯალალი, მუჰამედ ფათჰი). კვლავ ვითარდება ეროვნ. გამოყენებითი ხელოვნ. დარგები.

ლიტ.: Всеобщая история архитектуры, т. 8, 11, М., 1969—73; Всеобщая история искусств, т. 2, кн. 2, т. 6, кн. 1, М., 1961—65.

XIV. მუსიკა

ქვეყნის განვითარების ისტ. თავისებურებების გამო სირ. მუსიკა არაბ. მუს. ხელოვნ. განშტოებას წარმოადგენდა. მხოლოდ XIX—XX სს-ში ერთიანი არაბ. კულტურის რღვევის შედეგად დაიწყო დამოუკიდებელი ეროვნ. კულტურების, მ. შ. სირიულის, გამოყოფა. ს-ის ხალხ. მუსიკისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი კილოებისაგან — მაკამებისაგან შემდგარი განვითარებული კილოური სისტემა. მთავარი მუს. ჟანრია სიმღერა ხალხ. ორკესტრის თანხლებით. საკრავები: უდი, რაბაბი, გიჯაკი, კანუნი და სხვ. გავრცელებულია აგრეთვე ევრ. საკრავები (ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი). 1870 კომპოზიტორ მუსტაფა ალ-ბაშნაკის ინიციატივით დაარსდა მუს. სკოლა ჰალაბში. მუს. ცხოვრების ცენტრია დამასკი. დამასკის რადიოსთან არსებობს 2 ხალხ. ორკესტრი. თანამედროვე კომპოზიტორთაგან აღსანიშნავია: სოლპი უადი, დიკ სუქარი. პოპულარულია ხალხ. სიმღერების შემსრულებლები შაქირ ბრეჰანი, მუთია მაფი, საბაჰ ფაჰრი, პიანისტი ღაზვან ზირქლი. არსებობს კონსერვატორია დამასკში (1962-იდან) და ჰალაბში (1963). დამასკის კონსერვატორიასთან შექმნილია კამერული ორკესტრი (ერთადერთი კოლექტივი, რ-იც ევრ. მუსიკას ასრულებს), შეიოლინეთა ანსამბლები. 1964-იდან დამასკის კონსერვატორიაში მუშაობენ საბჭ. პედაგოგები, რ-ებიც საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობასაც ეწევიან.

XV. დრამატული თეატრი

ს-ის პროფ. თეატრი აღმოცენდა XIX ს. შუახანებში, როდესაც აბუ ხალილ ალ-კაბანიმ დამასკში შექმნა თეატრ. დასი. I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ჩამოდიოდნენ ეგვ. დასები. მათმა ხელოვნებამ დიდი გავლენა მოახდინა ს-ის პროფ. თეატრის ფორმირებაზე. 1940-იან წლებში დამასკში აბდ ალ-ლატიფ ფათჰის ხელმძღვანელობით შეიქმნა თეატრ. კოლექტივი, რ-მაც 1945—46 უჩვენა სპექტაკლები სირ. დიალექტზე (პირველად არაბ. თეატრის ისტორიაში). 1956-იდან ჰალაბში მუშაობს სახ. თეატრი, სადაც გამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები სარა და სანა დაბსები, 1957 შეიქმნა პანტომიმის სახ. დასი. დამასკში გაიხსნა არაბ. ეროვნ. დრამ. თეატრი. თეატრის რეპერტუარშია არაბ. პიესები, ევრ. კლასიკური, რუს. და საბჭ. დრამატურგია. დამასკში არის აგრეთვე სამხ. თეატრი, დურეაიდ ლაჰამის სახ. სატირისა და კომედიის თეატრი, თოჯინების თეატრი. 1967-იდან ს-ში ყველა მსახიობი გაერთიანდა ერთიან პროფკავშირში.

XVI. კინო

პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია „უდანაშაულოდ დასჯილი" (1928, რეჟ. ა. ბადრი). 1930-იან წლებში გამოვიდა კინოფილმები „დამასკის ცის ქვეშ" (1932, რეჟ. ი. ანზური), „მომღერალი კაბარედან" (1939, რეჟ. ა. ბადრი). ამავე წლებში ნ. რიფაის ხელმძღვანელობით დაიწყო ქრონიკალური კინოფილმების წარმოება. 60—70-იან წწ. მნიშვნელოვანი ფილმებია: „სატვირთო მანქანის მძღოლი" (1967, რეჟ. ბ. ვუჩინიჩი), „მოტყუებულნი" (1972, რეჟ. ტ. სალეჰი), „ლეოპარდი" (1972, რეჟ. ნ. მალეჰი) და სხვ. მსახიობებს შორის არიან: მ. ვასიფი, ჰ. ალ-რუმანი, მ. ალ-სალეჰი და სხვ. 1974 გამოვიდა 14 მხატვრული კინოფილმი, მუშაობდა 118 კინოთეატრი, მ. შ. 113 კერძო და 5 სახელმწიფო.

ლიტ.: Современная Сирия, М., 1974.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

სირია-კილიკიის ნეოლითური კულტურა, არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო თურქეთის სამხრ.-აღმ-ით ხმელთაშუაზღვისპირა ზოლში და სირიისა და ლიბანის დას. ნაწილში. ამ კულტ. კარგად შესწავლილი ძეგლებია იუმუქ-თეფე ქ. მერსინთან (მერსინად ცნობილი), ჯუდაიდა და თელ-ქურდუ (ალექსანდრეტის რ-ნი). შესაბამისი მასალა გვხვდება *თარსუსში*, რას-შამრა V-ზე და საქჩე-გოზუში, კულტ. გავლენა აღმ-ით ჩანს ჰასუნის (ჩრდ. ერაყი) უძველეს ფენებში, მის სამხრეთულ ვარიანტს კი ქმნის თაბათ-ელ-ჰამისა და ბიბლოსის კულტ. ფენებში აღმოჩენილი მასალა. აქაური კერამიკა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, ქვის ნაწარმი კი პალესტინის ძეგლებთან იჩენს გარკვეულ მსგავსებას. ს.-კ. ნ. კ-თან ახლოს დგას ჩათალ-ჰუიუქი. ს.-კ. ნ. კ. ზოგადად თარიღდება ძვ. წ. VI ათასწლეულით და V ათასწლ. I ნახევრით. რადიოკარბონული თარიღებია: ძვ. წ. 6000±250 (მერსინის ფენები), ძვ. წ. 4600±250 და 5050±80 წლები (ბიბლოსის ქვედა ფენები). აღსანიშნავია, რომ ჰასუნაში შეინიშნება ამუკის A და B ფაზების ტიპის კონტაქტები, ხოლო ამუკის C კომპლექსში უდავოა ჰალაფის გავლენა. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ს.-კ. ნ. კ. ჩამოყალიბებული ადრინდ. სამიწათმოქმედო კულტურაა. მოსახლ. ცხოვრობდა ალიზის ოთხკუთხა სახლებში, რ-ებიც ზოგჯერ ქვის საძირკველზე იყო ამოყვანილი. ქვის ჭურჭელი იშვიათად გვხვდება. როგორც ჩანს, მას მხოლოდ სპეც. დანიშნულებით იყენებდნენ. თიხის ჭურჭლის წარმოება მაღალ დონეზე იდგა. კერამიკაში ჭარბობს მარტივი ჭდეული ორნამენტით შემკული გაპრიალებულ ზედაპირიანი მუქი ფერის ნაწარმი. გვიანდ. ფაზებში იშვიათად გვხვდება მოხატული ჭურჭელი. ნაპოვნია ნატკეცი

ქვისაგან დამზადებული შრომისა და ბრძოლის იარაღი. ძვლის ნაწარმიდან გვხვდება სადგისები, საპრიალებლები და „ხანჯლისებრი" წვეტიანი იარაღი. დამახასიათებელია ბიკონური და ბორბლისებური ფორმის თიხისა და აგრეთვე კერამიკის ნატეხებისაგან დამზადებული კვირისტაები. ჯუდაიდაში აღმოჩენილია მარტივი გეომ. სახეებიანი საბეჭდავები, ამ კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი საკმაოდ მყარ და ძლიერ ადგილ. ტრადიციებზე მიუთითებს.

ლიტ.: Массон В. М., Средняя Азия и Древний Восток, М.—Л., 1964.

თ. კილურაძე.

სირაიჩქონი, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ზემო ჭალადიდის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის ნაპირას. ზ. დ. 16 *მ*, ცხაკაიადან 18 *კმ*. კოლხიდის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნ.-ქ-ნა. სშ. სკოლა სოფ. მუხურში (6 *კმ*).

სირიელები, სირიის არაბები, ერი, სირიის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. დაახლ. 7,5 მლნ. კაცი (1978, შეფასება). 200 ათ-ზე მეტი ს. ცხოვრობს აგრეთვე სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად სამხრ. ამერიკაში. ლაპარაკობენ არაბ. ენის სირ. დიალექტზე. რელიგიით დაახლ. 85% მუსლიმანია, დანარჩენი — ქრისტიანი. ს-ის მცირე ნაწილი ინარჩუნებს გვაროვნ.-ტომობრივ სტრუქტურას. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა, ნაწილი დასაქმებულია მრეწველობაში. ს-ის ისტ., მეურნ., კულტ. შესახებ იხ. სტატიები *სირია, არაბები.*

სირიის პროვინული აჯანყება 1925—27, სირიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება საფრანგეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყება დაიწყო 1925 წ. 18 ივლ. ჯებელ-დრუზის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლებით. აჯანყების მამოძრავებელ ძალას სირიის გლეხობა შეადგენდა. მონაწილეობდნენ აგრეთვე მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, სამღვდელოების დაბალი ფენისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, ეროვნ. ბურჟუაზია და ცალკეული ფეოდალები. აჯანყებას მეთაურობდა დრუზი ფეოდალი სულთან ალ-ათრაში. 20 ივლ. აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. სალხადი. 28 ივლ. შეიჭრნენ ქ. ელ-სუვეიდაში —ჯებელ-დრუზის ცენტრში და ალყა შემოარტყეს მის ციტადელს. 2—3 აგვ. გაანადგურეს საფრ. ჯარის 4-ათასიანი კოლონა და ხელთ ჩაიგდეს მნიშვნელოვანი ნადავლი. ამის შემდეგ აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 1925 წ. 23 აგვ. ათრაშმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რ-შიც მოითხოვა სირიის სრული დამოუკიდებლობა, სახ. მთავრობის შექმნა, საფრ. ჯარის ევაკუაცია. აჯანყებას მხარი დაუჭირა სახალხო პარტიამ (ჰიზბ ალ-შაად, შეიქმნა 1925 თებ). მთელ რიგ ქალაქებში შეიქმნა სახ.-რევ. ხელისუფლების ორგანოები. 1925 ოქტ. ჯებელ-დრუზი მთლიანად გაათავისუფლეს საფრ. ჯარებისაგან. ანტიფრანგ. აჯანყებამ იფეთქა გუთის ოაზისში. 1925 წ. 14 ოქტ. დამასკში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, 18 ოქტ. აჯანყებულები დამასკში შევიდნენ. გენ. სარაიმ (საფრ. უმაღლესი კომისარი სირიაში) ქალაქს ყუმბარები დაუშინა. აჯანყებულები იძულებულნი გახდნენ დამასკი დაეტოვებინათ და პარტიზ. ომი დაეწყოთ მის გარეუბნებსა და სირიის სხვა რ-ნებში. 1926 ზაფხულისათვის სარაიმ სირიაში თავი მოუყარა 80 ათ-ზე მეტ ფრანგ ჯარისკაცს და შემოდგომისათვის ჩააშო აჯანყების ძირითადი კერები. 1927 მარტში საფრ. ჯარმა დაიკავა ელ-ლეჯა, მაისში — გუთა, ივნ-ში — ჯებელ-დრუზი. ათრაში და მისი მომხრეები ტრანსიორდანიაში გადავიდნენ, შემდეგ — ნაჯდში. საფრ. იმპერიალისტები, მოიპოვეს რა დროებითი გამარჯვება, იძულებულნი გახდნენ რამდენადმე შეეცვალათ სირიის მმართველობის მეთოდები: 1928 ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, 1930 სირია რესპუბლიკად გამოცხადდა (დარჩა საფრ. მანდატი).

ა. მენთეშაშვილი.

სირიის კომუნისტური პარტია (სკპ), დაარსდა 1924 ოქტ-ში როგორც სირიელი და ლიბანელი კომუნისტების ერთიანი ორგანიზაცია. I ყრილობა ჩატარდა 1930. 1944 სკპ-ის II ყრილობამ მიიღო წესდება და პროგრამა. ყრილობამ გადაწყვიტა სკპ გაყოფილიყო სკპ-დ და ლიბანის კომუნისტურ პარტიად (ლკპ). 1947 სკპ აკრძალეს. 1948 ორივე პარტია კვლავ გაერთიანდა და ეწოდა სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტია (სდალკპ). სირიაში სამხ. დიქტატორული რეჟიმის არსებობის წლებში სდალკპ რეპრესიებს განიცდიდა. ა. შიშექლის რეჟიმის დამხობის შემდეგ (1954) სდალკპ ლეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. მან ხელი შეუწყო სირიაში ეროვნ. ერთიანობის მთავრობისა (1954—57) და ეროვნ. პარლამენტური ფრონტის (1957) შექმნას. 1958 ეგვიპტისა და სირიის არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკად (აგრ) გაერთიანების შემდეგ სდალკპ-ის პლენუმმა (1958 ნოემბ.) მიიღო გადაწყვეტილება ორივე პარტიის ცალკე არსებობის შესახებ. მათ აირჩიეს თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოები, მაგრამ შეინარჩუნეს საერთო ცენტრ. ხელმძღვ. (1961-მდე). 1958 მარტში სკპ იძულებული გახდა იატაკქვეშეთში გადასულიყო. 1963 სირიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა არაბთა სოციალ. აღორძინების პარტია (ასაპ). 1969 შედგა სკპ-ის III ყრილობა, 1972 მარტში სკპ-მ ასაპ-თან, არაბთა სოციალისტურ კავშირთან (ასკ) და სხვა ორგანიზაციებთან ერთად შექმნა პროგრ. ეროვნ. ფრონტი (პეფ). ამ დროიდან სკპ წარმოდგენილია სირიის მთავრობის შემადგენლობაში. 1974 სექტ-ში შედგა სკპ-ის IV ყრილობა, რ-მაც შეიმუშავა ახ. პოლიტ. პროგრამა, შეიტანა ზოგიერთი ცვლილება მის წესდებაში. 1980 წ. 29—31 მაისს შედგა სკპ-ის V ყრილობა. სკპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე. უმაღლესი ორგანოა ყრილობა. ყრილობათა შორის პარტიას ხელმძღვანელობს ცკ, რ-იც თავისი რიგებიდან ირჩევს პოლიტბიუროს. სკპ-ის ცკ-ის გენ. მდივანია ხალედ ბაღდაში. ცენტრ. ორგანოა „ნიდალ ალ-შააბი" („ხალხის ბრძოლა").

ა. მენთეშაშვილი.

სირიის უდაბნო, ბადიათ-ელ-შამი, უდაბნო დას. აზიაში, სირიის, ერაყის, იორდანიისა და საუდის არაბეთის ტერიტორიებზე. ფართ. დაახლ. 1 მლნ. *კმ*². ზედაპირი მოვაკებული პლატოა, ადგილ-ადგილ აღმართულია 1000—1100 *მ* სიმაღლის კუნძულა მთები. ს. უ. უმთავრესად აგებულია ცარცული და პალეოგენური კირქვებით, მერგელებით, რ-ებიც ზოგან დაფარულია ბაზალტებით. ბევრია დახშული დეპრესია მლაშობებითა და თაყირებით. ცალკეულ მონაკვეთებზე ქვიანი ჰამადაა. ჰავა სუბტროპ., კონტინენტური, მშრალია. ს. უ-ს ჩრდ. ნაწილში იანვ. საშ. ტემპ-რაა 6,9°C, ივლ. 29,2°C. ნალექები დაახლ. 100 *მმ* წელიწადში. გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში ქრის ჰ. ამსინი. არის უადები. გავრცელებულია მეჩხერი დარიბი მცენარეულობა. მომთაბარე მესაქონლეობა.

სირინგომიელია (ბერძნ. syrinx, ნათ. ბრ. syrinx — მილი, არხი და myelos— ზურგის ტვინი), ადამიანის ნერვული სისტემის ქრონიკული, პროგრესულად მიმდინარე დაავადება; ახასიათებს ზურგის ტვინში ღრუების გაჩენა, *ნეიროგლიის* ჭარბი ზრდა, მგრძნობელობის, მოძრაობითი ფუნქციების დარღვევა და ტროფიკული ცვლილებები. ს. დაკავშირებულია ზურგის ტვინის ცენტრ. არხისა და უკანა ძგიდის არასწორ, ემბრიონულ განვითარებასთან და გარე ფაქტორების (ტრავმა, ინფექცია, ინტოქსიკაცია) ზემოქმედებასთან. დაავადება, როგორც წესი, ახალგაზრდა ასაკში იწყება. ახასიათებს მხარკისრის მიდამოსა და ხელის ძლიერი ტკივილი, სხეულის სხვადასხვა ნაწილის დაბუჟება, ტემპ-რისა და ტკივილის შეგრძნების დაქვეითება. თანდათანობით ვითარდება კუნთების ატროფია, რ-იც ხელის მტევნიდან იწყება. კანი შრება და მოლურჯო ფერს იღებს, ძვლები ადვილად ტყდება, აღინიშნება ხერხემლის გამრუდება, პათოლ. მოტეხილობა და ტროფიკული ცვლილება სახსრებში. თუ პროცესი ტვინის ღეროს ნაწილზე გავრცელდა, ვითარდება ე. წ. სირინგობულბია: რბილი სასის პარეზი, მეტყველებისა და ყლაპვის დარღვევა, ენის კუნთების ატროფია. დამახასიათებელია სახისა და თვალის ნაპრალების ასიმეტრიულობა და სხვ. მკურნალობა: მედიკამენტური (პროზერინი ან გალანტამინი), რენტგენოთერაპიის განმეორებითი კურსები, ულტრაბგერა, ფარმაკოთერაპია, ზოგჯერ ქირურგ. ჩარევა.

სირინოზი (ბერძნ. Seirēn), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტკბილხმოვანი გრძნეული ქალწული. ს-ები ბინადრობდნენ სამხრ. იტალიის კლდოვან კ-ებზე და ჯადოსნური სიმღერებით ხიბლავდნენ, სახიფათო ადგილებში იტყუებდნენ და ლუპავდნენ მეზღვაურებს. წარმოდგენილი ჰყავდათ ქალისთავიანი ფრინველის ან თევზისბოლოიანი ქალის სახით. მათი ხმა გლოვის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ჰომეროსი 2 ს-ს ასახელებს, მოგვიანებით 3 გახდა ცნობილი. თავიდან *ჰერსეფონეს* თანამგზავრები იყვნენ, მისი გატაცების შემდეგ ფრთოსნებად იქცნენ და მას დაეძებდნენ. ოდისევსმა თავისი მეზღვაურები მოხერხებით გადაარჩინა: ყურები ცვილით ამოუვსო, ხოლო თვითონ თავი ანძაზე მიიბმევინა. არგონავტების გემმა ს-ების კ-ებს რომ ჩაუარა, *ორფეოსმა* სიმღერა წამოიწყო და ასე გადაარჩინა არგონავტები. ვინაიდან ს-ები, წინასწარმეტყველების თანახმად, მარცხის შემდეგ უნდა დახოცილიყვნენ, ისინი ზღვაში ჩახტნენ და კლდეებად იქცნენ. გადატანითი მნიშვნელობით ს. ხმატკბილი მომღერალია.

ა. გელოვანი.

სირიონო, ინდიელთა ტომი. ცხოვრობენ აღმ. ბოლივიის ტროპ. ტყეებში. რაოდ. დაახლ. 1 ათ. კაცი. ენა განეკუთვნება ტუპი-გუარანის ოჯახს. ინარჩუნებენ რწმენა სხვადასხვა სულზე. იყოფიან მომთაბარე თემებად (თითოეულში 30—120 კაცამდე). დამახასიათებელია დედისმხრივი (მატრილინეური) ნათესაობა. ცხოვრობენ პალმის ფოთლებით გადახურულ კარავში, სადაც მთელი თემი თავსდება. ძირითადი საქმიანობაა ნადირობა და შემგროვებლობა, ნაწილობრივ — პრიმიტ. მიწათმოქმედება.

სირიული ენა, არამეული ენის ერთერთი დიალექტი; განეკუთვნება სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახის სემიტურ შტოს, კლასიკური ს. ე., ანუ ძვ. სირიული (ახ. სირიულის შესახებ იხ. სტ. *ასურული ენა*). ქ. ედესისა (ურჰა) და მისი რ-ნის (ამჟამად თურქეთშია) არამეელთა მეტყველებას წარმოადგენს. უძველესი წერილობითი ძეგლი ძვ. წ. III ს-ს ეკუთვნის. III—XIV სს-ში მასზე შეიქმნა ქრისტ. სამყაროში უაღრესად პოპულარული და ავტორიტეტული ლიტ-რა (იხ. *სირიული ლიტერატურა*). ს. ე-ის შესწავლას ბერძნულთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოშიც. ისლამის გავრცელებამ (VII ს-იდან) გამოიწვია ს. ე-ის განდევნა ცოცხალი მეტყველებიდან და უკვე VIII ს-იდან იგი განაგრძობს არსებობას როგორც მხოლოდ სამწერლობო და საეკლ. ენა. ს. ე. 2 ძირითადი დიალექტისაგან შედგება: დასავლური

(ანუ იაკობიტური) და აღმოსავლური (ანუ ნესტორიანული), რაც სირიული ეკლესიის გაყოფას შეესაბამება. სხვაობა ამ დიალექტებს შორის ძირითადად ფონეტ. ხასიათისაა.

ს. ე-ის კონსონანტიზმი ნაკლებად განსხვავდება საერთო არამეულისაგან. ძვ. არამეულისაგან განსხვავებით ს. ე-ში, ჩვეულებრივ, ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება გლოტალიზებული პ. ფარინგალებიდან ყრუ სპირანტი ჰ აღმოსავლურ დიალექტში გადაიწია ველარულ ხ-ში. ხმოვნები 3 სიგრძისაა: მოკლე, ზემოკლე და გრძელი, რ-თა შორის გვხვდება დიფთონგთა კონტრაქციით (შეკუმშვით) მიღებული ხმოვნებიც (ო, ე). შეინიშნება ხორხისმიერთა დაკარგვაც. სირიულში ფართოდაა გავრცელებული ჯერ კიდევ ძვ. არამეულიდან ცნობილი ხშულთა სპირანტიზაცია. მახვილი სიტყვაში მეორე მარცვალზე მოდის, რაც ხშირად ხმოვნების რედუქციას იწვევს. ძირის სტრუქტურა ტიპური სემიტურია. საყურადღებოა უსრული ასპექტის (იმპერფექტივის) წარმოება ნ-პრეფიქსით ნაცვლად საერთოსემიტური ა-ისა. ზმნის ასპექტურ ულელილებასთან ერთად გვხვდება ულვლილება დროების მიხედვით. ვნებითი გვარის პირიანი ფორმები დაკარგულია და შენაცვლებულია სათანადო რეფულექსივით. ს. ე-ში განვითარდა დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი. სახელთა ბრუნება არ შეინიშნება. სინტაქსიდან აღსანიშნავია ქვეწყობილ წინადადებათა სიჭარბე. ლექსიკაში უხვადაა ნასესხები სიტყვები, განსაკუთრებით ბერძნულიდან, ასევე აქადურიდან, ებრაულიდან, არაბულიდან.

სირიული დამწერლობა ძვ. *არამეული დამწერლობის* ერთ-ერთი სახეობის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. ცნობილია სირიული დამწერლობის 3 სახეობა: მრგლოვანი (ესტრანგელო), ბაზოვანი (იაკობიტური) და ნესტორიანული. ამ დამწერლობას იყენებენ არაბულისათვისაც (ე. წ. გარშუნი).

ლიტ.: Церетели К. Г., Сирийский язык, М., 1979; Brockelmann K., Syrische Grammatik, 10. Aufl., Lpz., 1965; Nöldeke Th., Kurzgefaßte syrische Grammatik, Darmstadt, 1966.

კ. წერეთელი.

სირიული ლიტერატურა, კლასიკური ჩვეულებრივ გულისხმობს ქრისტიანულ ლიტერატურას, რ-იც იქმნებოდა III—XIV სს-ში არამეული ენის ედესის დიალექტზე — *სირიულ ენაზე.* ქრისტ. ლიტ-რას წინ უსწრებდა წარმართული. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტ. ძეგლი სირ. ენაზე — სამოსატელი მარა ბარ სერაფიონის „იესუ—იუდეველთა ბრძენი მეფე"—წარმართული ხასიათის თხზულებაა. იგი I ს. განეკუთვნება. წარმართული ლიტ-რის ნიმუშები მოგვიანებითაც გვხვდება.

ქრისტ. ს. წ. ბიბლიური წიგნების სირიულად თარგმნით იწყება. უძველეს თარგმანად (დაახლ. 170) უნდა მივიჩნიოთ ტატიანის მიერ 4 სახარებისაგან სირიულად შედგენილი „შერეულთა სახარება", ე. წ. დიატესარონი. სინის პალიმფსესტში (III—IV სს.) შემონახულია ცალკეულ სახარებათა ძვ. სირ. თარგმანი, რ-საც „განცალკევებულთა სახარებას" უწოდებენ. ბიბლიის ძვ. სირ. თარგმანებიდან აღსანიშნავია კანონიკური ხასიათის ტექსტი, რ-იც „ფეშიტას" („მარტივი") სახელითაა ცნობილი და IV—V სს-ით თარიღდება. ბიბლ. ტექსტების გვერდით ადრევე ვრცელდებოდა აპოკრიფული ლიტ-რა. საპატიო ადგილი უჭირავს ჰიმნოგრაფიას. ს. წ-ის განვითარების ადრინდ. საფეხურზე ყურადღებას იპყრობს გამოჩენილი გნოსტიკოსის ბარ-დაისანის (154—222) ჰიმნები. მასვე ეკუთვნის ასტროლოგიური, ისტ. და სხვა ხასიათის თხზულებანი. ჰიმნოგრაფიაში დიდი სახელი მოიხვეჭა *ეფრემ ასურმა,* რ-ის სახელთანაც არის დაკავშირებული ს. ლ-ის აყვავება. IV ს-ში აღმოცენდა სირ. თეოლ. ლიტ-რაც. „სპარსელი ბრძენის" სახელით ცნობილი აფრაჰათი (გ. 345) სირ. ენაზე პირველი თეოლ. თხზულების ავტორია. მისი თხზულებების ნაწილი თარგმნილია ქართ., სომხ. და ეთიოპ. ენებზე.

V—VI სს-ში ს. ლ. აღმავლობის გზით ვითარდებოდა. შეიქმნა მდიდარი საეკლ. პოეტური ლიტ-რა, მძლავრ დარგად ჩამოყალიბდა სირ. ჰაგიოგრაფია-მარტიროლოგია, ფართო გასაქანი მიეცა ფილოს. ლიტ-რას, გაძლიერდა თეოლ. მოღვაწეობა, რასაც ხელი შეუწყო აღნიშნულ ხანაში სირ. ეკლესიაში მომხდარმა განხეთქილებამ; ჩამოყალიბდა ორი მიმართულება—ნესტორიანული ანუ აღმ.-სირ. და იაკობიტურ-მონოფიზიტური ანუ დას.-სირ. ეკლესიები. V ს-ში მარუთა უფროსმა (გ. 420) თავი მოუყარა ცალკეულ თხზულებებს წმინდანთა წამებისა და ცხოვრების შესახებ და შეადგინა ერთი კრებული — „მარტვილთა წიგნი". მასვე ეკუთვნის ლიტურგიკული პოეზია წამებულებზე. ამ ხანებშივე მოღვაწეობდა ისააკ ანტიოქიელი (გ. 460/461) — ს. ლ-ის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, ისააკ დიდად წოდებული. მისი ზოგიერთი პოემა საოცრად ვრცელია (მაგ., პოემა თუთიფუშზე 2137 სტროფს შეიცავს, პოემა მონანიებაზე — 1929 სტროფს).

ედესაში შეიქმნა ნესტორიანელ მოღვაწეთა ცენტრი, ცნობილი „სპარსული სკოლის" სახელწოდებით, სადაც ძირითადად ბერძნულიდან თარგმნიდნენ. აქ საპატიო ადგილი ეჭირა არისტოტელეს შემოქმედებას. შემდგომში ედესიდან განდევნილი ნესტორიანელები ნისიბინში დამკვიდრდნენ და იქ განაგრძობდნენ ადრევე დაწყებულ ლიტ. მოღვაწეობას (ჰიმნების, მადრაშებისა და სხვ. ავტორი ბარ საუმა, გ. 458; ლექსად დაწერილი 360 ქადაგების, ლიტურგიების, ჰიმნების ავტორი ნარსაი, გ. 503; ავტორი მრავალი თხზულებისა საეკლ. სამართლის დარგში, კათალიკოსი მარ- აბა I, გ. 552, ავტორი არისტოტელეს „დიალექტიკის" განმარტებებისა, VI ს. მარვის ეპისკოპოსი თეოდორე და სხვ.). ცალკე უნდა აღინიშნოს ბუდის დამსახურება ცნობილი იგავების კრებულის „ქილილა და დამანას" ფალაურიდან სირიულად თარგმნის საქმეში.

დიდ ლიტ. მოღვაწეობას ეწეოდნენ იაკობიტებიც, განსაკუთრებით თეოლოგიასა და ფილოსოფიაში (ფილოქსენოს მაბუგელი, გ. 523; იაკობ სარუგელი, გ. 521; იეშუა მესვეტე და იოანე ეფესელი, VI ს.). ამავე ხანებში მდ. ევფრატზე, კენ ნეშრაში შეიქმნა მძლავრი კულტ.-ლიტ. ცენტრი. ბერძნულიდან ითარგმნა და გადმოკეთდა რომანები იმპ. კონსტანტინესა და მისი სამი ძის შესახებ, იულიანეს შესახებ და სხვ.

სპარს.-ბიზანტ. ომის შემდეგ (611) ს. ლ. თანდათან დაცემის გზას დაადგა, მაგრამ სირ. და მესოპოტამიის არაბთა მიერ დაპყრობამდე და არაბთა ბატონობის პირველ ხანებშიც (VII—VIII სს.) სირ. ენაზე იქმნებოდა მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება, რ-ებშიც დიდი ადგილი ეთმობა კონფესიონალურ დავას ნესტორიანელებსა და იაკობიტებს შორის. ამ მხრივ საყურადღებოა იაკობიტ იაკობ ედესელისა (გ. 708) და ნესტორიანელ თეოდორ ბარ ქონაის (VIII ს.) ლიტ.-ფილოს. მოღვაწეობა. იაკობ ედესელს ეკუთვნის ნაშრომები სირ. ენასა და საეკლ. სამართალში, დოგმატიკასა და ლიტურგიკაში, სევეროს ანტიოქელის ჰომილიების სირ. თარგმანი და ძველი აღთქმის სირ. თარგმანის ახ. რედაქცია.

მომდევნო ხანაში (IX—XIV სს.) მუშაობა გრძელდებოდა ს. ლ-თეის ტრად. მიმართულებით (თეოლოგია, ფილოსოფია და სხვ.). შეიქმნა საერო ხასიათის თხზულებანი, რ-თა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს. ლ-ის კლასიკოსის გრიგოლ *ბარჰებრაიას* ნაწარმოებებს. ს. ლ-ის უკანასკნელი წარმომადგენელია ნესტორიანელი აბდ-იშო ბარ ბერიხა (XIV ს.), ავტორი „მარგალიტების წიგნისა" და ლექსთა კრებულისა „ედემი". ს. ლ-ის გავლენა გავრცელებული იყო მთელ ქრისტ. აღმ-ში. აღსანიშნავია, რომ ქართ.-სირ. ლიტ. ურთიერთობანი ს. ლ-ის ისტ. თითქმის მთელ მანძილს მოიცავს (V—XIV სს.). იგი აისახა ჯერ კიდევ ქართ. ბიბლ. წიგნების, მ. შ. ფსალმუნის ზოგიერთ რედაქციაში, ასევე ძვ. ქართ. ლიტ. თხზულებებში, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებში, რ-ებსაც სირ. გერსიები და წყხროები დაეძებნებათ (მარტვირი საბა-წმიდელის „სინანულისათჳს და სიმდაბლისა", წმ. ნისიმეს ცხოვრება, წმ. დროსის ცხოვრება და სხვ.). ქართულად სირიულიდან თარგმნილია ცნობილი სირ. ავტორების (სერგი რეშაინელი, სიმეონ მესვეტე, ეფრემ ასური და სხვ.) თხზულებანი. ეს საქმიანობა XIII—XIV სს-მდე გრძელდებოდა. სწორედ ამ ხანას განეკუთვნება დიდი ქართვ. მოღვაწის პეტრე იბერის „ცხოვრების" თარგმნა (მაკარი მესხის მიერ) სირიულიდან ქართულად.

ახალი ს. ლ., რ-იც ასურული ლიტ-რის სახელწოდებითაცაა ცნობილი, XIX ს. 40-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც ურმიის არამეულ დიალექტზე (თანამედროვე ასურულზე) დაიწყო ძვ. სირ. საეკლ. ლიტ-რის გადმოღება. ახ. ს. ლ-ის ფუძემდებლად ითვლება თომა ოდო, ურმიისა და სალამასის (ირან. აზერბაიჯანი) მიტროპოლიტი. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა იგავებმა, რ-ებიც ფრანგულიდან გადმოაკეთა. ახ. ს. ლ-ის განვითარებაში, რ-იც თითქმის ყველა ლიტ. ჟანრს მოიცავს (ლექსი, პოემა, დრამა, ნოველა, მოთხრობა), დიდი ღვაწლი მიუძღვით დავით გივარგის მალიქს (1876—1931), შიმუნ იშუდ-სალამასს (1884—1951), ბენიამინ არსანისს (1882—1957), ძმებს ფირა (დ. 1901) და ვილიამ (დ. 1910) სარმასებს და სხვ. აქვე აღსანიშნავი არიან პოეტები და მწერლები, რ-ებიც თბილისში მოღვაწეობდნენ: ფრიდუნ ათურაია (1891—1925), ლილი თამრაზი (დ. 1900), აგრეთვე რაბი დავიდ ილიანი, რ-იც დღესაც თბილისში ცხოვრობს. ახ. ს. ლ-ის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სირიულმა (ასურულმა) პერიოდიკამ —გაზეთებმა, რ-ებიც გამოდიოდა ირანში: „ზარირა დ-ბარა" („სინათლის სხივი", 1850-იდან), „კალა დ-შრარა" („ჭეშმარიტების ხმა", 1896-იდან), „ქოხვა დ-მორიშა" („დილის ვარსკვლავი", 1906-იდან), განსაკუთრებით ჟურნ. „გილგამეშმა" (1952—1962, თეირანი). ასურ. ჟურნალ-გაზეთები გამოდიოდა თბილისშიც: ჟურნ. „მადინხა" („აღმოსავლეთი", 1913—14) და გაზ. „ქოხვა დ-მადინხა" („აღმოსავლეთის ვარსკვლავი", 1929—38).

ლიტ.: წერეთელი კ., არამეული ენა საქართველოში, «მნათობი», 1976, № 6; ფირა სარმას, ასურული ლიტერატურის ისტორია, III, თეირანი, 1970 (ასურულად); Пигулевская Н. В., Культура сирийцев в средние века, М., 1979; Baumstark A., Geschichte der syrischen Literatur, Bonn, 1922 (Berlin, 1968); Macuch R., Geschichte der spätneusyrischen Literatur, B., 1976; Chabot J.-B., Littérature syriaque, P., 1907 (Amst., 1970).

კ. წერეთელი.

სირიულ-რომაული სამართალი, ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის კრებული. შედგენილია V ს. დამლევს. შეიცავს ნაწილობრივ სისტემატიზებულ რომაულ კანონ-დებულებებს ძირითადად სამოქალაქო სამართ. და საქორ-



ი. სირკინი.

წინო-საოჯახო ურთიერთობათა სფეროდან, უმეტესწილად მემკვიდრეობის საკითხების, მეუღლეების, მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობის, აზატობის შესახებ და სხვ. გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, რ-ებიც ბიზანტ. პოლიტ. და კულტ. გავლენას განიცდიდნენ. არსებობს კრებულის 4 რედაქცია: სირ. (83- და 127-მუხლიანი ნუსხები), არაბ. (130 მ.), სომხ. (150 მ.) და ქართ. (150 მ.). ერთადაა გამოცემული (კ. ბრუნსისა და ე. ზახაუს გამოც., ლაიფციგი, 1880) სირ., არაბ. და სომხ. რედაქციები (გამომცემლებს სცოდნიათ ქართ. რედაქციის არსებობა, მაგრამ ვერ გამოუყენებიათ იგი ენის უცოდინარობის გამო). ქართ. რედაქცია (XVIII ს. დასაწყ.) სომხურიდან (XII ს. დასასრ.) მომდინარეობს, შეტანილია *ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში* ძვ. სომხ. სჯულმდებლობის ქართ. ვერსიის პირველ ნაწილად და ამ სახითვეა გამოცემული (პირველია რუს. სენატის სამსახურებრივი, ა. ფრენკელის და დ. ბაქრაძის 1887 გამოც.). იგი საყურადღებოა სამართ. ზოგადი ისტ., შედარებითი სამართალმცოდნეობის თვალსაზრისით, როგორც თავისებურად რეციპირებული, გადმოქართულებული იურიდ. ძეგლი. იხ. სტ. *„სამართალი სომხური“*.

ლიტ.: სამართალი სომხური. ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, Monumenta Georgica — ქართული ძეგლები, IV. Leges — კანონმდებლობა, № 2, ტფ., 1927; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1963; Соколъский В. В., Греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI, «Журнал Министерства Народного Просвещения», 1897, [№ 9]. *ი. ფუტკარაძე.*

სირიუსი (α დიდი ქოფაკისა), ცის ყველაზე ბრწყინვალე, –1,46 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდის* ვარსკვლავი. მზიდან მანძილი ≈ 2,7 *პს*, ნათობა 22-ჯერ აღემატება მზისას; ორი ვარსკვლავის სისტემაა. ს-ის თანამგზავრი აღმოჩენის რიგის მიხედვით პირველი *თეთრი ჯუჯა* ვარსკვლავია, ≈10 000-ჯერ მკრთალი ს-ზე.

სირკინი იაკობ კივის ძე [23. XI (5. XII). 1894, მინსკი, — 8. I. 1974, მოსკოვი], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1964). ივანოვო-ვოზნესენსკის პოლიტექ. ინ-ტის დამთავრების (1919) შემდეგ მუშაობდა იქვე (1925—31 პროფესორი და ფიზ. ქიმ. კათედრის გამგე). 1931—74 მ. ლომონოსოვის სახ. მოსკ. ნატიფი ქიმ. ტექნოლ. ინ-ტის ფიზ. ქიმ. კათედრის გამგე. 1931—52 ლ. კარპოვის სახ. ფიზიკა-ქიმ. ინ-ტის მოლეკულის აღნაგობის ლაბორ. გამგე. 1967—74 სსრკ მეცნ. აკად. ნ. კურნაკოვის სახ. ზოგადი და არაორგ. ქიმ. ინ-ტის მარტივი და კომპლ. არაორგ. ნაერთების აგებულების განყ-ბის გამგე. ძირითადი შრომები აქვს ქიმ. თერმოდინ., ქიმ. კინეტიკის, ნივთიერებათა აგებულების საკვანძო საკითხებზე. სსრკ სახელმწ. პრემია (1943). დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Яков Кивович Сыркин, М., 1971 (Материалы к биобиблиографии ученых СССР. Серия химических наук, в. 48).

სირლინები, სიურლინები (Syrlin, Sürlin), გერმანელ მოქანდაკეთა და ხეზე და ქვაზე კვეთის ოსტატთა ოჯახი. ცხოვრობდნენ ულმში. იორგ ს. უფროსი (დაახლ. 1425—1491) სათავეში ედგა სახელოსნოს 1449-იდან. მის მიერ (ან მისი ხელმძღვანელობით) შესრულებულ ნამუშევართა (მოხუცურთმებული, მრავალადგილიანი საჯდომი გუნდისათვის, ულმის ტაძარი, ხე, 1469) იგრძნობა სწრაფვა ადამიანის სახისა და ხასიათის ინდივიდუალიზაციისაკენ. იორგ ს. უმცროსი (დაახლ. 1455—1521-ის შემდეგ), იორგ ს. უფროსის ვაჟი და მოწაფე. მის ნამუშევრებში კიდევ უფრო გაღრმავდა საერო მოტივები (მოხუცურთმებული საჯდომი გუნდისათვის, ბლაუბოირენის მონასტერი, ბადენ-ვიურტემბერგი 1493).



სირლინები. ი. სირლინ უფროსი. „პტოლემე“. ულმის ტაძრის ჭოროს საჯდომის სკულპტურული მორთულობა. ფრაგმენტი (ხე, 1469).

სირმა-აბაზი, ქართული ვერცხლის მონეტა. ჭრიდნენ თბილ. ზარაფხანაში 1752—53-იდან 1798—99-მდე ირან. აბა-ზიანისაგან განსხვავებით. მასა 3 გ. მასზე სპარს. და არაბ. ენებზე წერია მოჭრის დრო, ადგილი, მუსლ. რელიგ. ფორმულები, რ-ებიც ქრისტ. იდეოლოგიას არ ეწინააღმდეგება. იჭრებოდა ს.-ა-ის 4 ნომინალი: ნახევარი მარჩილი (6 შაური), აბაზი (4 შაური), უზალთუნი (2 შაური) და შაური. ნუხის სახანოში ს.-ა-ის უხეში მინაბაძები გამოდიოდა. განჯაში 1786—91 ერეკლე II-ის ნაცვლები ს.-ა-ის მსგავს მონეტებს ჭრიდნენ. ს.-ა. ბრუნვაში დარჩა XIX ს. 80-იან წლებამდე. 1848—49 რუსეთმა ს. ა-ის შესყიდვა სცადა, მაგრამ ხურდა ფულის ნაკლებობის გამო 1852-მდე ვერ შეისყიდა.

საქართველოში ს.-ა. ნაპოვნია განძების სახითაც (ფხოველის, ფასანაურის, სამონიანთხევის, ჭიკაანის, ალის, მუხათის, თბილ. და სხვ.) და შემთხვევითაც.

ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; ქებულაძე რ., სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1969, ტ. 53, № 3; Пахомов Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.

რ. ქებულაძე.

სიროკო (იტალ. scirocco < არაბ. შარკ—აღმოსავლეთი), სამხრეთის ან სამხრ.-აღმოსავლეთის თბილი, ძლიერი ქარი, რ-იც უმთავრესად ქრის ხმელთაშუა ზღვის აუზში და უბერავს ჩრდ. აფრიკის შიგა რ-ნებისა და არაბ. ნ.-კ-ის უდაბნოებიდან. ხმელთაშუა ზღვაზე გადავლის დროს ს. იძენს სინოტივეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ევრ. ხმელთაშუაზღვისპირეთის მრავალ ადგილას მაინც აჭკნობს მცენარეებს.

სიროჟინატნიკოვი სერგეი პეტრეს ძე [28. VI (10. VII). 1891, სოფ. კურბი, ახლანდ. იაროსლავლის ოლქი, — 4. III. 1951, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი ორთქლმავალთმშენებლობისა და თბოტექნიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). სსკპ წევრი 1946-იდან. დაამთავრა მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი (1917), სადაც ასწავლიდა 1918—41. მუშაობდა აგრეთვე მიმოსვლის გზათა ექსპერ. ინ-ტში (1918—27), მოსკ. ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტში (1925—31), მოსკ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ელექტრომექან. ინ-ტში (1931—49). ს. ორთქლმავლების მეცნ. დაპროექტების ფუძემდებელია. დაამუშავა სითბური პროცესების თეორია და გაანგარიშება, აგრეთვე შექმნა ორთქლმავლის ქვაბის საცეცხლის პროცესის თეორია. სსრკ სახელმწ. პრემია (1943). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Паровозы. Тепловая работа, динамика, автотормоза, М., 1949; Тепловая работа паровозной топки, М., 1953.

სიროფი (ფრანგ. sirop), სხვადასხვა შაქრის (საჭაროზა, გლუკოზა, ფრუქტოზა, მალტოზა) ან მათი ნარევის კონცენტრირებული ხსნარი წყალში ან ხილის ნატურალურ წვენში. ს. გამჭვირვალე ბლანტი სითხეა, რ-საც აქვს შესაბამისი ნაყოფის არომატი. მისი კალორიულობაა 10 *მეგჯ/კგ* (245—464 *კკალ/100 გ*); შაქრის შემცველობა 30—80%. მურაბის, ხილის ს-ს იყენებენ უშუალოდ, აგრეთვე გაზირებული და სხვა სასმელების დასამზადებლად.

სირხი (Seares) ფრედერიკ (17. V. 1873, კასპოპოლისი, მიჩიგანი, — 20. VII. 1964, ჰონოლულუ), ამერიკელი ასტრონომი, ვაშინგტონის ეროვნ. მეცნ. აკად. წევრი. იკვლევდა *გალაქტიკის* აგებულებას; დაამუშავა ვარსკვლავთა სტატისტიკის განტოლებათა რიცხვითი ამოხსნის მეთოდი. განსაზღვრა 110 000 ვარსკვლავის *ვარსკვლავიერი სიდიდე*, მ. შ. მოწაფეებთან ერთად ჩრდ. პოლუსის არის ზოგიერთი ვარსკვლავის ზუსტი ფოტოგრ. და ფოტოვიზუალური სიდიდეები (მე-2 ვარსკვლავიერი სიდიდიდან მე-20-მდე), რ-ებიც საერთაშ. ასტრონ. კავშირმა 1922 დაამტკიცა საერთაშ. სტანდარტად.

თხზ.: Magnitudes and colors of stars north of +80°, Wash., 1941 (თანაავტ.).

სირტი (<თურქ. სირტ—შემაღლება, ბორცვი), 1. სწორი ან ოდნავ ტალღოვანი ზედაპირი ტიან-შანის მთებში, 3500—4000 *მ* სიმაღლეზე. წარმოადგენს უახლეს ხანაში დიდ ნაოჭებად გაღუნულ, წყვეტებით გართულებულ და ეროზიით დანაწევრებულ *მოსწორების* ზედაპირის ნარჩენს. 2. ვოლგისპირეთში გავრცელებული ფართო, ხევებით დანაწევრებული წყალგამყოფი (მაგ., *ობშჩი-სირტი*).

სირტლანოვა მაგუბა ჰუსეინის ასული (25. X. 1912, ქ. ბელებეი, ბაშკ. ასსრ, — 12. VI. 1971, ქ. ყაზანი), საბჭ. კავშირის გმირი (15. V. 1946), გვარდიის უფროსი ლეიტენანტი (1944). სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა თბილ. აეროკლუბი (1935), სამხ.-საავიაციო სკოლა (1941). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს 46-ე გვარდიული ქალთა ღამის ბომბდამშენი საავიაციო წითელდროშოვანი პოლკის ესკადრილიის მეთაურის მოადგილე. ს-მ განახორციელა 780 საბრძოლო გაფრენა. ომის შემდგომ წლებში იყო სქართვ. სამოქალაქო ავიაციის მფრინავი. გმირობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

სირხისარი, კონუსური ფორმის ეულკაური მთა, მდ-ების მნაისისწყლისა და ტყარშეტის წყალგამყოფ ქედზე. სიმაღლე 3662 *მ*. ს-ზე აქვს სათავე მდ. მნაისისწყლის მარცხ. შენაკადებს. აგებულია მეოთხეული ანდეზიტური ლავებით. ნიადაგ-მცენარეული საფარი თითქმის არ არის. *ს. ნემანიშვილი.*

სირხლებერთა, წაკვეთილი კონუსის ფორმის მთა რაჭის ქედზე. სიმაღლე 2862 *მ*. მთის ჩრდ. კალთაზე ტროგული ხეობაა. აგებულია ბაიოსური წყების პორფირიტებით, ტუფებითა და ტუფ-ბრექჩიებით. კალთები (განსაკუთრებით სამხრ.) მოფენილია ლოდებით. მთის მიდამოები შემოსილია ალპ. ბალახეულით.

სირჯაკუხა (სიტყვასიტყვით — რეალურ მეცნიერებათა დაჯგუფება), საზოგადოებრივი აზრის პროგრესული მიმდინარეობა კორეაში XVI ს. დასასრ. — XIX ს. დასაწყისში. ს-ის წარმომადგენლები ლიუ ჰაონ ეონი, ლი იკი და სხვ. — სოც.-ეკონ. რეფორმების მომხრენი იყვნენ, ხაზს უსვამდნენ ცხოვრებასთან დაკავშირებულ რეალურ მეცნ. განვითარების აუცილებლობას, მხარს უჭერდნენ მოწინავე მეცნ. ცოდნის გავრცელებას ქვეყანაში.

ლიტ.: История Кореи, т. 1, М., 1974, с. 248—249, 287—294; Чон Чин Сок, Чон Сон Чхоль, Ким Чхан Вон, История корейской философии, пер. с кор., т. 1, М., 1966, с. 205—291.

სისაკი (Sisak), ქალაქი იუგოსლავიაში, ხორვატიის სრ-ში. 41 ათ. მცხ. (1975). მდ. სავაზე ნაოსნობის საწყისი პუნქტი. ტვირთბრუნვით იუგოსლ. მესამე სამდ. ნავსადგური (ბელგრადისა და ნოვი-სადის შემდეგ). სარკინიგზო კვანძი. მეტალ., ქიმ., ნავთობგადასამუშ., ხის დასამუშ., ელექტროტექ., მინის, კვების მრეწვ. საწარმოები.

სისალე, სიმაგრე, ნივთიერების წინაღობა ჩაწნევისა და კაწვრისადმი. ნივთიერების ს. არ არის ფიზ. მუდმივა, იგი რთული თვისებაა, რ-იც დამოკიდებულია როგორც მასალის სიმტკიცესა და პლასტიკურობაზე, ისე გაზომვის მეთოდზე.

ლითონების ს-ის გასაზომი გავრცელებული მეთოდებიდან შედარებით ზუსტია ლითონში სხვა უფრო სალი სხეულის ჩაწნევის პრინციპზე დამყარებული მეთოდი. ლითონების ს. ხასიათდება ს-ის რიცხვით, რ-იც ტოლია დატვირთვის ფარდობისა ანაბეჭდის ფართობთან, ან ფიქსირებული დატვირთვისას ანაბეჭდის სიღრმის უკუპროპორციულია. ანაბეჭდს ღებულობენ ნაწრთობი ფოლადის ბურთულით (როკველის, ბრინელის მეთოდი), ალმასის კონუსით (როკველის მეთოდი) ან ალმასის პირამიდით (ვიკერსის მეთოდი, *მიკრო-სისალის* გაზომვა). ბრინელის მეთოდით გაზომილი სისალე აღინიშნება *HB*-თი, ვიკერსისა *HV*-თი. თუ როკველის მეთოდით ს. ბურთულით იზომება, აღინიშნება *HRB*-თი, თუ ალმასით — *HRC* ან *HRA*-თი (დატვირთვის მიხედვით). არსებობს სპეც. ცხრილები და დიაგრამები ერთი მეთოდით გაზომილი ს-ის მეორეში გადასაყვანად (მიღებულია სისალის გადათვლა *HB*-ში).

იყენებენ ს-ის გაზომვის დინამ. მეთოდებსაც: არეკვლითი (შორის მეთოდი) მეთოდის მიხედვით ს-ის საზომად ითვლება საცდელი ზედაპირიდან ფოლადის ბურთულის არეკვლის სიმაღლე ან იმ ქანქარის რხევის ჩაქრობის დრო, რ-ის საყრდენია საკვლევი ლითონი (კუზნეცოვ — პერბერტ — რებინდერის მეთოდი). არსებობს აგრეთვე ს-ის ულტრაბგერითი გაზომვის მეთოდიც. ს-ის გაზომვის მეთოდს საცდელი მასალის მიხედვით ირჩევენ. მყიფე ლითონებისათვის იყენებენ კაწვრის მეთოდს. რბილი ლითონებისათვის (*HB* და *HRB*-ს), სალისათვის (*HRC*), თხელი ფენებისათვის (*HV* და *HRA*) და დიდი ზომის დეტალებისათვის — არეკვლის მეთოდს, რთული შედგენილობის ფაზების ს-ის დასადგენად — მიკროსისალის მეთოდს და სხვ.

ს-ის გაზომვის მეთოდით მიახლოებით გამოითვლიან ლითონის სიმტკიცეს, გარდა ამისა, ლითონთა თერმული დამუშავებისას აკონტროლებენ მათ მექან. თვისებებს. ამაღე მეთოდს იყენებენ სისალე—შედგენილობა მდგომარეობის დიაგრამების აგებისას და სხვ.

მინერალების ს. მათი მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური და ტიპომორფული ნიშანია; ჩვეულებრივ, განისაზღვრება შეფარდებითი *მინერალოგიური სკალის* ეტალონებით ან მიკროსკლერომეტრებით.

სისერტი, ქალაქი რუსულ სვერდლოვსკის ოლქში, მდ. სისერტის (ობის აუზი) ნაპირზე, სვერდლოვსკ—ჩელიაბინსკის საავტ. გზაზე, სვერდლოვსკიდან 50 *კმ*. სისერტის რ-ნის ცენტრი. ს. დაარსდა 1733 მეტალ. ქ-ნის (არსებობდა 1932-მდე) აშენებასთან დაკავშირებით. ს-ში არის სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ურალგიდრომაში", საყოფაცხოვრებო ელექტროძრავების და მხატვრული კერამიკის ქ-ნები.

სისინა ბგერები, ბგერები, რ-თაც სისინის მსგავსი ჟღერადობა აქვთ (მაგ., ზ, ს, ძ, ც, წ), იგივე სისინა *სიბილანტები*.

სისინი ალექსი ნიკოლოზის ძე [4 (16). X. 1879, ნიჟნი-ნოვგოროდი, ახლანდ. გორკი — 25. VI. 1956, მოსკოვი], ჰიგიენისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ერ-თერთი ფუძემდებელი სსრკ-ში, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). 1908 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. სრულიად რუს. ქალაქთა კავშირის სანიტ. ბიუროს თავ-რე (1915—18). 1931—51 იყო ექიმთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის კომუნ. ჰიგიენის კათედრის გამგე, ერთდროულად (1944—56) სსრკ მედ. მეცნ. აკად. ზოგადი და კომუნ. ჰიგიენის ინ-ტის (1957-იდან ს-ის სახელობის) დირექტორი. 1926-იდან იყო სსრკ მუდმივი წარმომადგენელი ზოგადი ჰიგიენის საერთაშ. ბიუროში (პარიზი). ს. შეისწავლიდა წყლის მომარაგების, საცხოვრებლის პიგიენის, ქვეყნის სანიტ.-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, დეზინფექციის, ადამიანის აკლიმატიზაციის და სხვ. საკითხებს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თხზ.: Учебник гигиены со включением эпидемиологии, 3 изд., М.—Л., 1938 (რედ. და თანაავტ.).

სი სინხაი, სიან სინხაი (23. VI. 1905, აომინი, გუანდუნის პროვინცია, — 30. X. 1945, მოსკოვი), ჩინელი კომპოზიტორი. ჩინ. კომპარტიის წევრი 1938-იდან. 1926 დაამთავრა ლინანის უნ-ტი გუანჯოუში. სწავლობდა შანხაის (1927—29), პარიზის (1930—35) კონსერვატორიებში (ვიოლინოს — პ. ობერდორფერთან, კომპოზიციას — ვ. დ'ენდისა და პ. დიუკასთან). 1935—37 მუშაობდა შანხაიში, 1938 ასწავლიდა ლუ სინის სახ. ხელოვნ. აკადემიაში. 1940—45 ცხოვრობდა მოსკოვში (მისი მრავალი ნაწარმოები პირველად შესრულდა სსრკ-ში). ნაწარმოებები: „კანტატა მდინარე ხუანხეზე", „ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის სიმფონია", „საღვთო ომის სიმფონია", 100-ზე მეტი სიმღერა და სხვ.

სისიფე (ბერძნ. Sisyphos), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ეოლოსის და ენარეტეს ცბიერი ძე, კორინთის აღმაშენებელი და მეფე. მანკიერებისათვის მიუსჯიათ აჩრდილთა სამეფოში უზარმაზარი ლოდის ზიდვა მწვერვალისაკენ, ლოდი ისევ ძირს გორდებოდა და ს. ჯაფას თავიდან იწყებდა (ჰომეროსი ღმერთების რისხვის მიზეზს არ ასახელებს. სხვა ავტორები მის მრავალ ოინს მოგვითხრობენ: თითქოსდა, ღმერთების გეგმები გაეცეს, მგზავრები ეძარცვოს; ზევსის გამოგზავნილი სიკვდილის ღმერთი თანატე მოეტყუებინოს და შეებოჭოს, რის შემდეგაც აღარავინ კვდებოდა. სიკვდილის წინ ცოლი დაერიგებინოს, არ დამმარხო და მსხვერპლი არ შეწიროო, ამ საბაბით ჰადესს დასთხოვებოდეს და კიდევ დიდხანს ენებივროს სააქაოში). მითოლ. ტრადიცია მას ისთმოსის თამაშობათა დაარსებასაც მიაწერს. იხმარება გამოთქმა: „სისიფეს შრომა" — უნაყოფო, ამაო გარჯა.

სისკალა (ყოფ. წინწყალა), სოფელი ბოლნისის რ-ში (არახლოს სოფ. საბჭო), მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ*, ბოლნისიდან 12 *კმ*. არახლოს მეკარტოფილეობის საბჭ. მეურნეობა, საშ. სკოლა სოფ. ტაშტიყულარში (1 *კმ*).

სისლეი (Sisley) ალფრედ (30. X. 1839, პარიზი, — 29. I. 1899, მორე-სიურ-ლუანი, ფონტენბლოს მახლობლად), ფრანგი ფერმწერი, პეიზაჟისტი. *იმპრესიონიზმის* წარმომადგენელი. დაიბადა შეძლებული ინგლ. კომერსანტის ოჯახში. ფერწერას დაეუფლა შ. გლეირის სახელოსნოში (1861—63), სადაც დაუახლოვდა კ. მონეს, ო. რენუარსა და ფ. ბაზილს. მის ადრინდ. ნამუშევრებში იგრძნობა კურბესა და განსაკუთრებით კ. კოროს გავლენა. 70-იან წლებში თავის კოლეგებთან ერთად პრაქტიკულად დაამუშავა იმპრესიონისტული კონცეფციები. ს. ძირითადად ხატავდა პარიზის შემოგარენს, ილ-დე-ფრანსის პეიზაჟებს. მის ნაწარმოებებს ახასიათებს ლირიზმი, ინტიმური უშუალობა და თბილი, ფაქიზი კოლორიტი. 80-იან წლებში შექმნილ სურათებს რამდენადმე დეკორატიულობის იერი დაჰკრავს.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 337.

სისმონდი (Sismondi) ჟან შარლ ლეონარ სიმონდ დე (9. V. 1773, ჟენევა, — 25. VI. 1842, იქვე), შვეიცარიელი ეკონომისტი, *წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1819 გამოაქვეყნა შრომა „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები". 1833 აირჩიეს მორალურ და პოლიტ. მეცნიერებათა საფრ. აკად. წევრად. ს. *სმითის* შრომების გაცნობის შემდეგ გახდა *კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის* მომხრე, შემდეგ კი მისი კრიტიკოსი. გამოაელინა კაპიტალიზმის ისეთი მწვავე წინააღმდეგობანი, როგორიცაა წარმოების ანარქია, დისპროპორციულობა წარმოებასა და მოხმარებას შორის და სხვ. აჩვენა კვლავწარმოების კრიზისების სოც. შედეგები, მაგრამ ვერ შეძლო მეცნიერულად აეხსნა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი. მის ეკონ. მოძღვრებაში ძირითადია განაწილება, რ-ზეც თითქოს დამოკიდებულია წარმოება და მოხმარება. მან შეამჩნია წინააღმდეგობა საქონლის *სახმარ ღირებულებასა* და *ღირებულებას* შორის, თუმცა ვერ შეძლო მისი ახსნა. მისი მტკიცებით *ეროვნულ შემოსავალს* ქმნიან მიწათმოქმედთა, კაპიტალისტთა და მუშათა კლასები. ივი *ეკონომიკურ კრიზისებს* ხსნიდა მშრომელთა ნაკლებმოხმარებით. XIX ს. დასასრ. სისმონდიზმი აღორძინდა რუსეთში ხალხოსნობის სახით. ს-ს ეკონ. შეხედულება დახასიათებულია კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის შრომებში.

თხზ.: Новые начала политической экономии или о богатстве в его отношении к народонаселению, пер. с франц., т. 1—2, М., 1937.

ლიტ.: მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 3, თბ., 1975. *ჯ. კანჩიაშვილი.*

სისნეროსი, ხიმენეს დე სისნეროსი (Jiménez de Cisneros) ფრანსისკო (1436, ტორელაგუნა, — 8. XI. 1517, როა), ესპანეთის საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, კარდინალი, ფრანცისკელი. 1492-იდან დედოფალ *ისაბელ კასტილიელის* მოძღვარი. 1495—1517 ტოლედოს არქიეპისკოპოსი, კასტილიის კანცლერი. 1507—17 დიდი ინკვიზიტორი. 1506, 1516—17 კასტილიის რეგენტი. ხელი შეუწყო ფინანსების მოწესრიგებას, სამხ. ძალების ორგანიზაციას, იყო ჩრდ. აფრიკის სანაპიროს დასაპყრობად მოწყობილი ექსპედიციის სულისჩამდგმელი, რელიგ. ფანატიკოსი. ატარებდა არაბების ძალდატანებითი გაქრისტიანების პოლიტიკას. ალკალა-დე-ენარესში დააარსა უნ-ტი (1508).



ს. სირომიატნიკოვი.

სისოიანი გრიგოლ არტემის ძე [17 (29). VI. 1895, სიღნაღი, — 1. VI. 1976, თბილისი], საბჭ. მეცნიერი ელექტროენერგეტიკის დარგში, ტექ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). დაამთავრა მოსკ. ენერგეტ. ინ-ტი (1931). 1932-იდან ამიერკავკ. ენერგეტ. ინ-ტის კათედრის გამგე, შემდგომ კი (სიცოცხლის ბოლომდე) — ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ზოგადი ელექტროტექ. კათედრის პროფესორი. ს-ის სამეცნ. შრომები ეხება ფეროშენადნობთა და კარბიდის მისაღები ელექტრული ღუმელების მუშაობის გამოკვლევას, მძლავრ მადანთერმულ ღუმელებში მიმდინარე ელექტრული მოვლენების შესწავლას, ჩაის დუღის ფიზ. თვისებების გაზომვის ელექტრული და ფოტოელექტრული მეთოდების დამუშავებას. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.



ვ. სირტლანოვა.

თხზ.: Электрическая дуга в электрической печи, М., 1974.

სისტანი (ძველად დრანგიანე), ბუნებრივი და ისტორიული მხარე ირანსა და ავღანეთში. უკავია ირანის მთიანეთის ცენტრ. ნაწილის დახშული ქვაბული. უმთავრესად აგებულია ტბიური ნალექებით. ქვაბულის ცენტრშია ჰამუნის ტბათა ჯგუფი, რ-საც ერთვის მდ-ები ჰილმენდი, ხამრუდი, ფარაჰრუდი. რელიეფი უმთავრესად ვაკეა, სიმაღლე დაახლ. 500 *მ*. ჰავა სუბტროპიკული უდაბნოს ტიპისაა. ცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ნალექები 100 *მმ*-ზე ნაკლები წელიწადში. ხარობს უდაბნოს მცენარეულო-

ბა. ცხოველებიდან გვხვდება გარეული ღორი, კურდღელი, ტურა. ტბებზე ბევრია გადამფრენი და წყალზე მცურავი ფრინველი. ხუობებში ოაზისებია, სადაც ბამბის, მარცვლოვნების, პარკოსნებისა და სამკურნ. ჯაგაჩოს ნათესებია. ს-ში არის ქ-ები ზაბოლი (ირანი), ზარანჯი (ავღანეთი).

სახელწ. „ს.“ მომდინარეობს საკების ტომიდან, რ-იც აქ ძვ. წ. II ს. დასასრ. დასახლდა. უძველეს დროს და შუა საუკუნეებში ს-ის ტერიტ. შედიოდა შუა აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოთა—ბერძნულ-ბაქტრიული სამეფოს, პართიის სამეფოს, სასანიანთა სახელმწიფოს, არაბთა სახალიფოს, საფარიდებისა და სხვ. — შემადგენლობაში. VIII—IX სს-ში იყო *ბარიჯგიტების* მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი.

სისტემა (ბერძნ. systēma — მთელი, ნაწილებისაგან შედგენილი; შეერთება), სიმრავლე ელემენტებისა, რ-თა შორის არსებული კავშირები და მიმართებები ქმნის ერთ მთლიანობას. ს-ის შესახებ წარმოდგენები ჩაისახა ჯერ კიდევ ანტ. ფილოსოფიაში. ძვ. ბერძნ. ფილოსოფიაში სამყაროს, როგორც კოსმოსის, ე. ი. მოწესრიგებული მთელის გაგება გულისხმობდა ს-ის ცნებას. ამ მიმართულებით ყოფიერების, როგორც ს-ის ონტოლოგიურ ინტერპრეტაციას იძლეოდნენ ჰერაკლიტე, დემოკრიტე, პლატონი. ანტ. ფილოსოფიაში ამუშავებდნენ აგრეთვე ცოდნის ს-ების პრობლემატიკას, როდესაც ცდილობდნენ ლოგიკისა და გეომეტრიის აქსიომატურ აგებას (ევკლიდე, არისტოტელე, სტოელები). ახ. დროის ფილოსოფიაში ყოფიერების როგორც ს-ის ონტოლოგიურ ინტერპრეტაციას, იძლეოდნენ ბ. სპინოზა, გ. ლაიბნიცი, ფ. შელინგი, გ. ვ. ფ. ჰეგელი. ხოლო ცოდნის, როგორც ს-ის გნოსეოლოგიურ ანალიზს, — ი. კანტი, ი. გ. ფიხტე. მარქსიზმმა ჩამოაყალიბა ს-ის განხილვის დიალექტ.-მატერიალ. პრინციპები. XIX ს. II ნახ. და XX ს. I ნახევარში სპეც. მეცნიერებათა მრავალ დარგში გამოავლინეს და გააანალიზეს ს-ების განსხვავებული ტიპები: სოციოლოგიაში — სოც. ს-ები (მარქსიზმი), ბიოლოგიაში — ორგ. ს-ები (ჩ. დარვინი), ლინგვისტიკაში — ენობრივი ს-ები (ფ. დე სოსიური), ლოგიკაში — სინტაქსური და სემანტიკური ს-ები, მათემატიკაში — აქსიომატიზებული და ფორმალიზებული თეორიები, კიბერნეტიკაში — თვითმარეგულირებელი ს-ები, სემიოტიკაში — ნიშანთა ს-ები და ა. შ. პრაქტიკულად შექმნეს და გამოიყენეს აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ს.: ტექნიკაში — ავტომატიზებული მანქანების ს-ები, სახ. მეურნეობაში — მრეწვ. და ტრანსპ. მართვის ს-ები და ა. შ. ყოველივე ამან აქტუალური გახადა ს-ის ბუნების კვლევის ამოცანა. XX ს. 40-იანი წწ. ბოლოს ავსტრ. ბიოლოგმა ლ. ბერტალანფიმ წამოაყენა „სისტემის ზოგადი თეორიის“ შექმნის პროგრამა. ჩამოყალიბდა საგანთა ანალიზის სისტემური მიდგომის მეთოდი. ამის გამო ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ს-ის პრობლემატიკის დამუშავება. ძირითადად იგი მიმდინარეობს სამ სფეროში: 1. სპეციალური მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში მუშავდება ამა თუ იმ ტიპის ს-ის აგებისა და გამოყენების კონკრ.-მეცნ. საკითხები; 2. ს-ის ზოგად თეორიაში მუშავდება მისი ბუნებისა და სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის ლოგიკურ-მეთოდოლ. პრობლემები; 3. ფილოსოფიაში, რ-ის ამოცანაა ს-ის, როგორც გარკვეული კატეგორიის, დახასიათება და სამყაროს შესახებ მთლიან კონცეფციაში მისი ადგილისა და როლის გარკვევა. მიუხედავად ს-ის ბუნების ასეთი ფართო და მრავალმხრივი კვლევისა, არ არსებობს ამ ცნების ერთიანი განსაზღვრება. აღვნიშნავთ ს-ის დამახასიათებელ ზოგიერთ მომენტს. მაგ., ს-ის განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი ცნებების გამოყენება: სიმრავლე, ელემენტი, კავშირი, მიმართება,სტრუქტურა, მთლიანობა; ს-ის არსებობისათვის აუცილებელია ელემენტების სიმრავლე, მაგრამ ელემენტების ნებისმიერი სიმრავლე არ წარმოადგენს ს-ს; ელემენტებს შორის უნდა იყოს ისეთი კავშირები და მიმართებები, რ-ებიც ახ. მთლიანობას ქმნიან. ეს მთლიანობა განსხვავდება მისი შემადგენელი მომენტებისაგან; მისი თვისებები არ დაიყვანება ელემენტების ცალკეულ თვისებებზე ან მათ ჯამზე; ელემენტი დამოკიდებულია ს-ზე; მისი ადგილი განისაზღვრება იმ ფუნქციით, რ-იც მას მთლიანობაში უკავია. ამიტომ ს. ელემენტების ორგ. კავშირია და არა უბრალო ჯამი ან აგრეგატი. ს-ს ახასიათებს სირთულე, ამიტომ მას მუდამ აქვს გარკვეული სტრუქტურა, რ-იც მისი არსებითი მომენტია. სტრუქტურა არის ის წესი, რ-ითაც ელემენტები ერთმანეთთანაა შეკავშირებული. სტრუქტურა ს-ის აღნაგობას გამოხატავს. ს. და სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს. სტრუქტურა დამოუკიდებელია ელემენტების კონკრ. ბუნებაზე. ერთმანეთისაგან განსხვავებულ ელემენტებს შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე სტრუქტურა და პირიქით. ს-ის ხასიათი დამოკიდებულია ელემენტებისა და სტრუქტურის თვისებებზე. ს-ის ელემენტები შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის ობიექტები: ფიზ., ქიმ., სოც., იდეალური (რიცხვები, დებულებები, თეორიები, ცნებები) და ა. შ. ამიტომ ს-ის ცნების გამოყენება სინამდვილის ნებისმიერ სფეროში შეიძლება. ს-ების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნით განხორციელდეს. შესაძლოა გამოიყოს შემდეგი სახის ს-ები: მატერ. და არამატერ., ბუნებრივი და საზ., ფორმალური და არაფორმალური, აქსიომატიზებული და არააქსიომატიზებული, სტატიკური და დინამიკური, მკაცრად დეტერმინირებული და სტოქასტიკური (ალბათური) და ა. შ.

ლიტ.: Садовский В. Н., Основания общей теории систем, М., 1974.

ვ. ერქომაიშვილი.

სისტემა გეოლოგიური, საერთაშორისო *სტრატიგრაფიული სკალის* ძირითადი ქვედანაყოფი, რ-იც შეესაბამება დედამიწის ქერქისა და დედამიწის ორგ. სამყაროს განვითარების გარკვეულ ბუნებრივ ეტაპს. დროის მონაკვეთს, რ-ის განმავლობაშიც ჩამოყალიბდა გეოლ. ს-ის ამგები ქანები, ეწოდება გეოლ. *პერიოდი. ფანეროზოურ დროში* გამოყოფილია 12 ს. და მათი შესაბამისი 12 გეოლ. პერიოდი.

სისტემა „ადამიანი-მანქანა“ (სამ), ადამიანის (ან ადამიანებისა) და ტექნიკის კავშირურთიერთობათა ერთიანობა, რ-ის თავისებურებანი განისაზღვრება ადამიანისა და ტექნიკის (მანქანის, იარაღისა და სხვ.) ურთიერთქმედებით: კიბერნ. თვალსაზრისით სამ განიხილება სქემატურად ურთიერთდაკავშირებული ორი ბლოკის სახით — მმართველისა და მართვის ობიექტის სახით, რ-თა შორის პირდაპირი და უკუკავშირების გზით მოძრაობს ინფორმაცია. რადგან ყოველი სამ მრავალი ურთიერთდაკავშირებული ობიექტური და სუბიექტური პირობებითაა განსაზღვრული, ამიტომ როგორც ახ. სამ-ის პროექტირების, ისე არსებულის რეკონსტრუქციის მიზანია ამ პირობათა ოპტიმალური შეხამება. ადამიანისა და მანქანის კავშირურთიერთობის სისტემური განხილვის უმთავრეს სიძნელეს მათი ბუნების განსხვავებულობა ქმნის. სამ-ის კლასიფიკაციათა შორის აღსანიშნავია დაყოფა რთულ და მარტივ, ღია და დახშულ, დეტერმინირებულ და არადეტერმინირებულ სისტემებად. იხ. *საინჟინრო ფსიქოლოგია.*

გ. კეჩხუაშვილი.

სისტემათა ზოგადი თეორია, მეცნიერების დარგი, რ-იც იკვლევს სხვადასხვა ტიპის სისტემების შესწავლის მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ს. ზ. თ-ის ჩამოყალიბება განაპირობა მათ., ფიზ., ბიოლ., ეკონ. და სოციოლოგიური სისტემების კვლევისას წარმოქმნილმა მეთოდოლ. სიძნელეებმა. ამ უკანასკნელმა გამოიწვია ე. წ. სისტემური მიდგომის იმ სპეც. მეთოდების შექმნა, რ-ებსაც რთული ობიექტების ანალიზისა და სინთეზისათვის იყენებენ. ს. ზ. თ-ს ზოგჯერ სისტემათა აბსტრ. თეორიასაც უწოდებენ, რადგან მისი კვლევის ობიექტი არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრ. სისტემით. ს. ზ. თ-ის ფორმალური აპარატი უზრუნველყოფს სხვადასხვა ბუნების მქონე ობიექტების, როგორც სისტემის ერთიან მათ, აღწერას. იგი არ არის კონკრეტული სისტემის შემსწავლელი მეცნიერების შემცველი, ის მხოლოდ აფართოებს მისი კვლევის მეთოდოლ. პრინციპებს.

ს. ზ. თ-ის ძირითადი თავისებურებები: 1. ს. ზ. თ. აგებულია ზოგადმეცნიერული ცნების „სისტემის“ გამოყენების საფუძველზე; 2. შეიცავს ყველა ცნობილი სპეციალიზირებული სისტემის თეორიებს (ფრფივ, აქსიომატიკურ, დინამიკურ და ა. შ.); 3. სარგებლობს ფორმალური სისტემების კვლევის ლოგიკურ-მათ. მეთოდებით (*ავტომატების თეორია, ალგორითმების თეორია* და სხვ.); 4. აერთიანებს სხვადასხვა ბუნების მქონე სისტემების აღმწერ თეორიებს; 5. ფართოდ იყენებს მოდელირების ან ანალოგიის მეთოდს. მისი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული თეორ. კიბერნეტიკის პრობლემატიკასთან. ს. ზ. თ-მ უნდა კონსტრუქციულად ჩამოაყალიბოს ისეთი ზოგადმეცნ. ცნებები, როგორიცაა სისტემა, სტრუქტურა, მდგომარეობა, ქცევა, სირთულე, მიზანსწრაფულობა, ოპტიმალურობა და განსაზღვროს მათი გამოყენების შესაძლებლობანი. ს. ზ. თ-ის შედეგებს ფართოდ იყენებენ რთული სისტემების ანალიზისა და პროექტირების დროს. იგი წარმოადგენს *სისტემოტექნიკის* თეორ. საფუძველს.

ლიტ.: Исследования по общей теории систем. Сборник переводов, М., 1969.

ე. ჯუღელი.

სისტემა ორგანული სამყაროსი, ორგანიზმთა იერარქიული დაჯგუფება მსგავსება-განსხვავებისა და ნათესაობის მიხედვით.

ცოცხალ არსებათა სამყაროში ითვლიან 2 მლნ-მდე სახეობას. ორგანიზმთა ყველა ამ მრავალფეროვნებას შეისწავლის *სისტემატიკა*, რ-ის ამოცანაა ორგანული სამყაროს ფილოგენეზური სისტემის შექმნა, ქვემოთ განხილულია მხოლოდ მაკროსისტემა—ყველაზე უფრო მაღალი ტაქსონომიური ერთეულები — სამეფოები და ქვესამეფოები. არისტოტელეს შემდეგ ორგ. სამყაროს ყოფდნენ ორ დიდ ჯგუფად—მცენარეებად და ცხოველებად. XX ს. შუა წლებში დაადგინეს, რომ ფილოგენეზურად ნათესაურ ჯგუფებს — *ბაქტერიებსა* და *ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებს*, სხვა ორგანიზმებისაგან განსხვავებით, ნამდვილი ბირთვი არ გააჩნიათ. ამ და მთელი რიგი სხვა თვისებების გამო მათ *პროკარიოტები*, ხოლო დანარჩენ ორგანიზმებს *ევკარიოტები* დაარქვეს. ევკარიოტებს ყოფდნენ ორ სამეფოდ — მცენარეებად და ცხოველებად. თუ ცხოველთა ტაქსონომიური საზღვრები შეღარებით ნათელია, მცენარეთა საზღვრები ჯერ არაა საბოლოოდ დადგენილი. მაგ., ბიოლოგთა უმრავლესობის აზრით, ამ სამეფოდან უნდა გამოიყოს ყველა პროკარიოტი. კიდევ უფრო რთულია სოკოების საკითხი, რ-თაც ტრადიციულად მცენარეებს მიაკუთვნებენ, თუმცა მთელი რიგი თავისებურებებით [აზოტოვანი ცვლის გზები, ციტოქრომებისა და სატრანსპორტო რიბონუკლეინის მჟავას (რნმ)

პირველადი სტრუქტურა და სხვ.] ისინი ცხოველებსაც ემსგავსებიან. სხვა ორგანიზმებისაგან მკვეთრი გამიჯვნის გამო მრავალი მკვლევარი სოკოებს დამოუკიდებელ სამეფოდ გამოყოფს. ზოგი ბიოლოგი *პროტისტების* სამეფოს არსებობასაც აღიარებს, ერთნი ამ სამეფოს წყალმცენარეების ნაწილსა და *უმარტივესებს* აკუთვნებენ, სხვები — ყველა წყალმცენარეს, უმარტივეს და პარაზიტულ უმდაბლეს სოკოებს. პროტისტების გამოყოფა სერიოზულ სიძნელეებს ქმნის სისტემატიკოსთა წინაშე: მათი მრავალი წარმომადგენელი დანარჩენ ევკარიოტულ სამეფოებთან უფრო ახლო დგას, ვიდრე თავისი სამეფოს დანარჩენ წარმომადგენლებთან. ამიტომ პროტისტების ცალკე გამოყოფა, ბიოლოგთა უმრავლესობის აზრით, ხელოვნურია. პროკარიოტული და ევკარიოტული ორგანიზმების დაჯგუფებას საფუძვლად უდევს ა. *ტახტაჯიანის* მიერ დამუშავებული სისტემა:

I ზესამეფო — პროკარიოტები (Procaryota). ამ ორგანიზმებს ნამდვილი ბირთვი ბირთვული მემბრანით არ გააჩნიათ; გენეტ. მასალა ე. წ. ნუკლეოიდებშია. დახშული ბაფით წარმოდგენილი *დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა* (დნმ) არ არის დაკავშირებული ცილებთან და რნმ-თან. ტიპური სქესობრივი პროცესი (ნუკლეოიდების შერწყმით) არ ახასიათებთ, თუმცა გენეტ. მასალის გაცვლა ზოგჯერ მაინც ხდება. ცენტრიოლები, მიკრომილაკები, პლასტიდები და მიტოქონდრიები არ გააჩნიათ. უჯრედი იყოფა ამიტოზურად. აქვთ მოლეკულური აზოტის ფიქსაციის უნარი. ობლიგატური ან ფაკულტატური ანაერობები ან აერობებია. ახასიათებთ ავტოტროფული ან აბსორბციული კვება. შეიცავს ერთ სამეფოს (Mychotalia), რ-იც ორ ქვესამეფოდ იყოფა: ა) ბაქტერიები (Bacteriobionta) — ახასიათებთ ჰეტეროტროფული ან ავტოტროფული კვება. ქლოროფილი წარმოდგენილია ბაქტერიოქლოროფილით. ფოტოსინთეზის უნარის მქონე დამატებითი პიგმენტები — ფიკოციანინი და ფიკოერითრინი — არ გააჩნიათ. ფოტოსინთეზის დროს მოლეკულური ჟანგბადი არ გამოიყოფა. აქვთ მარტივი შოლტები. ნამდვილი ბაქტერიების გარდა აქ შედიან აქტინომიცეტები, მიქსომიცეტები, სპიროქეტები, მიკოპლაზმები, რიკეტსიები და ვირუსები. სამეფო შეიცავს 1 ტიპს — Bacteria; ბ) ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები (Cyanobionta) — ახასიათებთ ავტოტროფული (ფოტოსინთეზური) კვება. ქლოროფილი წარმოდგენილია a ქლოროფილით. აქვთ ფიკოციანინი და ფიკოერითრინი. ფოტოსინთეზის დროს გამოიყოფა მოლეკულური ჟანგბადი. შოლტები არა აქვთ. სამეფო შეიცავს 1 ტიპს — Cianomychota.

II ზესამეფო — ევკარიოტები (Eucaryota). აქვთ ნამდვილი ბირთვი ბირთვული მემბრანითურთ. გენეტ. მასალა ქრომოსომებშია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, დნმ დაკავშირებულია ცილებთან და რნმ-სთან. ახასიათებთ ტიპური სქესობრივი პროცესი (სასქესო უჯრედების მომწიფება *მეიოზის* დროს), ზოგჯერ *აპომიქსისი*. აქვთ ცენტრიოლები, პლასტიდები, მიტოქონდრიები. უჯრედი იყოფა მიტოზურად, ახასიათებთ მიკრომილაკებით წარმოქმნილი მიტოზური თითისტარა ან მისი ანალოგი. ატმ. აზოტს ვერ აფიქსირებენ. აერობები ან, იშვიათად, მეორეული ანაერობებია. კვება აბსორბციული, ავტოტროფული ან ე. წ. ჰოლოზოურია (საკვები შეიტაცება და ორგანიზმში გადამუშავდება); იყოფა 3 სამეფოდ: 1 სამეფო — მცენარეები (Plantae). ავტოტროფული (ფოტოტროფული) ორგანიზმებია, ზოგჯერ მეორეული ჰეტეროტროფები. უჯრედის კედელი მკვრივია, შედგება ცელულოზის ან ქიტინისაგან. სამარაგო ნახშირწყლები სახამებლის, წითელ წყალმცენარეებში კი როდამილონის სახითაა. ყოფენ ორ ქვესამეფოდ: ა. უმდაბლესი მცენარეები (Thallobionta) — გამეტანგიუმები და სპორანგიუმები ერთუჯრედიანია ან უჯრედულ არ გააჩნიათ. ზიგოტა ტიპურ მრავალუჯრედიან ჩანასახად არ გარდაიქმნება. ეპიდერმა, ბაგეები და გამტარი ცილინდრი არ გააჩნიათ. აქ შედის ყველა წყალმცენარე (ლურჯ-მწვანეთა გარდა), რ-ებსაც ყოფენ შემდეგ ტიპებად: Cryptophyta, Euglenophyta, Pyrrophyta, Chrysophyta, Phaeophyta, Chlorophyta, Rhodophyta. ბ. უმაღლესი მცენარეები (Embryolionta) — გამეტანგიუმები და სპორანგიუმები მრავალუჯრედიანია ან გამეტანგიუმები რედუცირებულია. ზიგოტა გარდაიქმნება ტიპურ მრავალუჯრედიან ჩანასახად. აქვთ ეპიდერმა, ბაგეები და გამტარი ცილინდრები. ყოფენ შემდეგ ტიპებად: Rhyniophita, Bryophita, Lycopodiophyta, Psilotophita, Equisetophita, Polypodiophita, Pinophita, Angiospermae.

II სამეფო—სოკოები (Fungi). ჰეტეროტროფული ორგანიზმებია, მკვრივი უჯრედული კედელი აქვთ. ახასიათებთ აბსორბციული, იშვიათად ჰოლოზოური კვება. მათი სამარაგო ნახშირწყლებია გლიკოგენი. მრავლდებიან ჰაპლოიდური სპორებით. მიმაგრებული ორგანიზმებია. შედის 2 ქვესამეფო: ა) მიქსომიცეტები ანუ უმდაბლესი სოკოები (Myxobionta). მათი ვეგეტატიური სხეული პლაზმოდიუმი ან ფსევდოპლაზმოდიუმია. კვება ჰოლოზოური ან აბსორბციულია. შოლტიან უჯრედებს აქვთ წყვილი სხვადასხვა ფორმის შოლტი. სპორები და სპორანგიუმები მრავალრიცხოვანია. შედის ერთი ტიპი — ლორწოვანი სოკოებს ანუ ნიქსომიცეტებს› (Myxomycota); ბ) უმაღლესი სოკოები (Mycobionta), ვეგეტატიური სხეული შედგება ძაფების (ჰიფები) ან უჯრედებისაგან. აქვთ აშკარა უჯრედული კედელი. კვება აბსორბციულია. შოლტიან უჯრედებს თითო ან წყვილი შოლტი აქვთ. იყოფა ტიპებად: Mastigomycota, Zygomycota, Ascomicota, Basidiomycota.

III სამეფო — ცხოველები (Animalia). ჰეტეროტროფული ორგანიზმებია, მკვრივი უჯრედული კედელი ჩვეულებრივ არ გააჩნიათ. ახასიათებთ ჰოლოზოური, იშვიათად აბსორბციული კვება. სამარაგო ნახშირწყლებია გლიკოგენი. გამრავლება და გავრცელება სპორების გარეშე ხდება (გამონაკლისია ზოგი უმარტივესი Sporozoa-თა კლასისა). აქტიურად მოძრავი ორგანიზმებია, ზოგი მიმაგრებულია. იყოფა ორ ქვესამეფოდ: ა) უმარტივესები (Protozoa). მათი ორგანიზმი ერთუჯრედიანია ან მსგავსი უჯრედების კოლონიას წარმოადგენს. შედის ერთი, უმარტივესების (Protozoa) ტიპი, თუმცა ზოგი ავტორი ორ ან მეტ ტიპს გამოყოფს; ბ) მრავალუჯრედიანები (Metazoa). მათი ორგანიზმი მრავალი არაერთგვაროვანი (სპეციალიზებული) უჯრედისაგან შედგება. ყოფენ 16 ტიპად (ზოგი 20—33-მდე). ერთ-ერთი მიღებული სისტემა შემდეგ ტიპებს მოიცავს: Spongia, Coelenterata, Ctenophora, Plathelminthes, Nemertini, Nemathelminthes, Annelida, Arthropoda, Onichophora, Mollusca, Tentaculata, Echinodermata, Pogonophora, Chaetognatha, Hemichordata, Chordata.

ს. ო. ს. ერთობ პირობითია, რაც მიუთითებს ორგანიზმთა ცალკეული ჯგუფების შესწავლის არასაკმარის დონეზე. იგივე ითქმის უფრო დაბალ ტაქსონომიურ ერთეულებზეც, რ-თა საზღვრების შესახებ სისტემატიკოსთა შეხედულებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ლიტ.: Догель В. А., Зоология беспозвоночных, 6 изд., М., 1975; Иванов А. В., Происхождение многоклеточных животных, Л., 1968; Козо-Полянский Б. М., К модернизации системы растительного мира, «Труды Воронежского гос. ун-та», 1949, т. 15; Кусакин О. Г., Старобогатов Я. И., К вопросу о наивысших таксономических категориях органического мира, кн.: Проблемы эволюции, в. 3, Новосиб., 1973; Мошковский Ш. Д., О природе простейших (Protozoa) и границах протозоологии, «Труды Ленинградского об-ва естествоиспытателей», 1957, т. 73, в. 4; Строение ДНК и положение организмов в системе. [Сб. ст.], М., 1972; Тахтаджян А. Л., Четыре царства органического мира, «Природа», 1973, № 2.

გ. ქაჯაია.

სისტემატიკა (ბერძნ. systēmatikos— მოწესრიგებული; ის, რაც სისტემას განეკუთვნება), ცოდნის დარგი, რ-იც აწესრიგებს და აღწერს რეალურად არსებული ობიექტების ერთობლიობას. ს. აუცილებელია მეცნ. ყველა დარგისათვის, რ-ებსაც საქმე აქვთ ობიექტთა რთულ, განშტოებულ და დიფერენცირებულ სისტემებთან. განსაკუთრებით განვითარდა ს. ბიოლოგიაში. იგი შეისწავლის ყველა ცოცხალი და ამოწყვეტილი ორგანიზმის მრავალფეროვნებას და ურთიერთდამოკიდებულებას. ფართო გაგებით ს. არის ორგ. სამყაროს კლასიფიკაცია, ტაქსონომია და ფილოგენია. ს. ემყარება ყველა ბიოლ. დარგის თეორ. და პრაქტ. საფუძვლებს. ს-ის ძირითადი მიზანია გაერკვეს ცხოველთა (იხ. *სისტემატიკა* ცხოველთა) და მცენარეთა (იხ. *სისტემატიკა* მცენარეთა) მრავალრიცხოვან სახეობებში. ს-იდან გამოყოფენ *ტაქსონომიას*, რ-იც ზოგადად შეისწავლის ორგანიზმთა კლასიფიკაციას, მის პრინციპებსა და მეთოდებს. ეს არის სწავლება ტაქსონომიურ კატეგორიებზე. ძირითადი ტაქსონომიური კატეგორიაა სახეობა (ყველაზე მცირე ტაქსონომიური ერთეული); ახლომონათესავე სახეობები ერთიანდებიან უფრო დიდ სისტემატიკურ კატეგორიებში — გვარებში; ეს უკანასკნელები წარმოშობის ერთიანობის პრინციპით — ოჯახებში, ოჯახები — რიგებში; რიგები ერთიანდება კლასებში, კლასები— ტიპებში ან განყ-ბებში; ყველა ტიპი ან განყ-ბა ერთიანდება სამეფოში. კ. *ლინედან* მოყოლებული, მიღებულია ორგ. სამყაროს დაყოფა ორ — მცენარეთა და ცხოველთა სამეფოდ. XX ს. II ნახევრიდან ორგ. სამყაროს 4 სამეფოდ ყოფენ. ნებისმიერი სისტემატიკური კატეგორიის ან ერთეულის აღსანიშნავად მიღებულია ტერმ. „ტაქსონი“.

ს-ის ძირითადი ამოცანაა დაადგინოს ინდივიდთა მრავალფეროვნება, თავისებურება და მიაკუთვნოს ამა თუ იმ სახეობას, რ-იც კლასიფიკაციის ძირითადი ერთეულია; ამოხსნას ამა თუ იმ ტაქსონის საერთო თვისება; დაადგინოს მ. შ. მსგავსება-განსხვავების ბიოლ. მიზეზები; შეისწავლოს შიგატაქსონომიური ცვალებადობა; მოახდინოს მრავალფეროვანი ორგ. სამყაროს კლასიფიკაცია (ეს უკანასკნელი გულისხმობს ორგანიზმების დაჯგუფებას მათი ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით და თითოეული ჯგუფისათვის სახელწოდების მიცემას). თანამედროვე ს-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სახეობის საზღვრების (და ამდენად მისი მოცულობის) დადგენა. სახეობაზე მსხვილ კატეგორიებს შეისწავლის მაკროსისტემატიკა, სახეობის შიგა კატეგორიებს — მიკროსისტემატიკა.

ს-ის ძირითადი მეთოდია შედარებით-მორფოლ. მეთოდი. სისტემატიკური კვლევისათვის ფართოდ იყენებენ თანამედროვე მეთოდებსაც. *კარიოტიპების* შესწავლის შემდეგ ჩამოყალიბდა *კარიოსისტემატიკა*. სხვადასხვა ორგანიზმში ცილებს, დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) ნუკლეოტიდურ შედგენილობას გე-

სისტემატიკა შეისწავლის, ხოლო სახეობის პოპულაციურ სტრუქტურას—ბიოსისტემატიკა, ორგანიზმთა ბიოქიმ. შედგენილობას—ქემოსისტემატიკა. ს. ყველა ბიოლ. დარგის თეორ. საფუძველია და ამდენად მას ზოგადი ბიოლ. მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდია მისი როლი ბიოგეოგრაფიასა და ეკოლოგიაში. ეკოსისტემების შესაცნობად საჭიროა მისი შემადგენელი სახეობების ცოდნა. სტრატიგრაფია და გეოლ. ქრონოლოგია დაფუძნებულია განამარხებული ორგანიზმების ს-ზე. დიდია ს-ის პრაქტ. მნიშვნელობა, რაც აუცილებელს ხდის სახეობების ზუსტ ცოდნას. ს-ის განვითარება დაკავშირებულია სხველე გამოკვლევებთან, ზოოლ. მუზეუმებისა და ჰერბარიუმების შექმნასთან. სისტემატიკური კოლექციებით განსაკუთრებით მდიდარია ვაშინგტონის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, დიდი ბრიტ. მუზეუმები, პარიზის საბუნებისმეტყველო ეროვნ. მუზეუმი. სსრკ-ში ძირითადი სამეცნ. საცავებია სსრკ მეცნ. აკად. ზოოლ. ინ-ტი, მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ზოოლ. მუზეუმი, სსრკ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტისა (ლენინგრადი) და მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ჰერბარიუმები, საქართველოში — საქ. სსრ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტი და ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის ზოოლ. და ბოტან. განყ-ბა, თსუ-ის ბოტან. კათედრის ჰერბარიუმი, რ-იც საერთაშ. საცავების სიაში შეივიდა. ნაშრომები ს-ის საკითხებზე იბეჭდება სპეც. უცხოურ და საბჭ. ბოტან. და ზოოლ. ჟურნალებში: „Sistematic zoology" (Wash. 1952-იდან), „Taxon" (Utrecht, 1951-იდან) , „Зоологический журнал", „Ботанический журнал", „თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები".

ლიტ.: Майр Э., Принципы зоологической систематики, пер. с англ., М., 1971; Тахтаджян А. Л., Система и филогения цветковых растений, М.—Л., 1966.

რ. გაგნიძე.

სისტემატიკა მცენარეთა, სისტემატიკის დარგი, რ-ის მიზანია დღეს არსებული და აგრეთვე ამოწყვეტილი მცენარეული ორგანიზმების მრავალფეროვნების შესწავლა, აღწერა, კლასიფიკაცია, მცენარის ცალკეულ სახეობებსა და ჯგუფებს შორის ფილოგენეზური (ნათესაური) კავშირების, მცენარეული სამყაროს განვითარებისა და სახეობათა წარმოშობის პროცესის დადგენა. მცენარეთა ს-ის ძირითადი მიზანია ისეთი ბუნებრივი და ფილოგენეზური სისტემების დამუშავება, რ-შიც მცენარეები განაწილებულია სისტემატიკურ ერთეულებად (ტაქსონებად) წარმოშობისა და ნათესაური კავშირების (სიახლოვის) დონის მიხედვით.

მცენარეთა ს-ის განვითარება იწყება *თეოფრასტეს* შრომებით („მცენარეთა მიზეზები" 6 წიგნად, „გამოკვლევები მცენარეთა შესახებ" 9 წიგნად), რ-ებშიც მოცემულია მცენარეთა კლასიფიკაციის პირველი ცდა. მან მცენარეები დაყო 4 ჯგუფად — ხეებად, ბუჩქებად, ბუჩქბალახებად და ბალახებად. შემდგომში მცენარეთა ს-ის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XV ს. ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში მოგზაურობათა შედეგად დაგროვილ ცნობებს უცნობი მცენარეების შესახებ. საჭირო გახდა ამ ცნობების სისტემაში მოყვანა. ადრეული სისტემებიდან მნიშვნელოვანი იყო იტალ. ბოტანიკოსის ა. *ჩეზალპინოს* სისტემა, რ-იც გამოქვეყნდა ნაშრომში „მცენარეთა შესახებ" (1583). მან აღწერა მცენარის 1500-მდე სახეობა, მ. შ. მრავალი ახ. სახეობა. მცენარეთა კლასიფიკაციას მან საფუძვლად დაუდო ნაყოფის აგებულება, ბუდეებისა და თესლების რაოდენობა. ამ ნიშნების საფუძველზე მცენარეთა სამყარო 14 კლასად დაყო (ხავსების, გვიმრებისა და შვიტების გამოკლებით, რ-ებიც წყალმცენარეებთან, სოკოებთან და სხვ. ერთად მე-15 კლასში გააერთიანა). ჩეზალპინოს სისტემა ხელოვნური იყო, რადგანაც იგი ემყარებოდა მხოლოდ ერთ-ორ ნიშანს (ნაყოფის თავისებურებას, ზოგჯერ ყვავილის ფორმას). ამიტომ კლასების უმრავლესობაში გაერთიანდა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მცენარეები, თუმცა ზოგი კლასი ბუნებრივი აღმოჩნდა, მაგ., მე-10 კლასში გაერთიანებული იყო ყველა რთულყვავილოვანი მცენარე.

მცენარეთა ს-ის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კ. *ლინნეს* შრომებს. მან მცენარის ძირითად სისტემატიკურ ნიშნად გამრავლების ორგანოები მიიჩნია და მცენარეთა სამყარო 24 კლასად დაყო. კლასები ერთმანეთისაგან განასხვავა მტვრიანების რაოდენობით, მტვრიანათა ძაფების სიგრძით, მათი ერთმანეთთან ან ბუტკოს სვეტთან შეზრდით და ა. შ. ბუტკოს რაოდენობის მიხედვით ლინემ კლასები დაყო რიგებად. ლინეს სისტემა მოხერხებული აღმოჩნდა, რამდენადაც ყოველი ახალი მცენარისათვის ადვილი გახდა ადგილის გამოძებნა სისტემაში. ამასთანავე მცენარის სახელწოდებისათვის შემოიღო *ბინარული ნომენკლატურა*, რ-იც დღესაც მიღებულია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კ. ლინეს სისტემაც ხელოვნურია, რადგანაც მცენარეები დაჯგუფებულია ნებისმიერად ამორჩეული მცირერიცხოვანი ნიშნების მიხედვით. მცენარეთა ბუნებრივი კლასიფიკაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი მეცნიერის ა. *ჟიუსიეს* შრომას „მცენარეთა გვარების" (1789) შესახებ. მან აღწერა მცენარეთა 100 ოჯახი და თითოეულ ოჯახში მცენარეები გააერთიანა მრავალი ნიშან-თვისების მიხედვით. ამასთანავე მცენარეები ოჯახში განალაგა ისეთი თანამიმდევრობით, რომ თითოეული ოჯახის ბოლოს მოთავსებული იყო შემდეგ ოჯახში გარდამავალ მცენარეთა ფორმები. მცენარეთა ასეთ განლაგებაში ჩანდა მათი ნათესაობა. ამგვარად, პირველად ა. ჟიუსიეს მცენარეთა ბუნებრივ სისტემაში ტაქსონომიური ერთეულები განხილული იყო ურთიერთ ნათესაურ კავშირში. ამრიგად, პერიოდი, რ-იც კ. ლინეს სისტემის შექმნით დამთავრდა, იყო ხელოვნური ს-ის პერიოდი, ხოლო ა. ჟიუსიემ საფუძველი ჩაუყარა ბუნებრივ ს-ს.

ჩ. *დარვინის* თეორიით კი დაიწყო ევოლუციური ანუ ფილოგენეზური ს-ის პერიოდი. აქედან მოყოლებული, კლასიფიკაცია ემყარებოდა მცენარეთა საერთო წარმოშობის პრინციპს, საკლასიფიკაციო ერთეულების ისეთ განლაგებას, რ-იც შეესაბამებოდა მათი ევოლ. განვითარების დონეს. მცენარეთა სამყაროს ფილოგენეზური სისტემები იყენებს მცენარეთა ეკოლ., პალეობოტან., მცენარეთა გეოგრ., შედარებითი მორფოლ., მცენარეთა ანატ., ემბრიოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლ. და ბიოქ. მონაცემებს. თანამედროვე სისტემებიდან ყველაზე პოპულარულია გერმ. ბოტანიკოსის ა. ენგლერის ფილოგენეზური სისტემა, რ-იც გამოქვეყნებულია მრავალტომიან ნაშრომში „მცენარეთა ბუნებრივი ოჯახები" (1887—1909). იგი ერთადერთი სისტემაა, რ-შიც ოჯახები დამუშავებულია გვარებამდე და სქეციებამდე, ზოგჯერ სახეობამდეც კი. მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი არ არის, და დღესაც გამოიყენება „ფლორების", მცენარეთა სარკვევების შედგენისას. ენგლერის სისტემა დაედო საფუძვლად მრავალტომიან „საბჭოთა კავშირის ფლორას", „საქართველოს ფლორის" რვატომეულს, სხვა რესპ. „ფლორებს". ამ სისტემის მსგავსია ავსტრ. მეცნიერის რ. ვეტშტაინის (1901) სისტემა. ენგლერისა და ვეტშტაინის სისტემების პოლიფილეტური კონცეფციის მიხედვით, ფარულთესლოვან მცენარეებს მრავალი წინაპარი ჰყავდათ. XIX ს. დასასრ. მრავალი ახ. ფაქტობრივი მონაცემის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახ. შეხედულებები მცენარეთა სისტემებზე. ამერ. ბოტანიკოსმა ჩ. ბესიმ ახ. სისტემა ჩამოაყალიბა, რ-საც საფუძვლად დაედო ყვავილის წარმოშობის სტრობილური თეორია. აშშ-ში ჩ. ბესის იდეა განავითარეს ჯ. შეფნერმა (1929, 1934), ა. კრონკვისტმა (1968). ყვავილოვან მცენარეთა ორიგინ. სისტემა შექმნა გერმ. მეცნ. ჰ. ჰალირმა (1896, 1912). ენგლერის და ჰალირის სისტემების პრინციპები შერწყმული იყო ნ. კუზნეცოვის (1914) ყვავილოვან მცენარეთა სისტემაში. მთელი მცენარეული სამყაროს პოლიფილეტური სისტემა შექმნა ხ. გობიმ (1916). ყვავილოვან მცენარეთა მონოფილეტური სისტემებიდან აღსანიშნავია რ. შოოს (1953—1961), ი. კიმურას (1956), რ. თორნის (1963), მ. ტამურას (1974) სისტემები.

სსრკ-ში ფილოგენეზური ს-ის განვითარება დაკავშირებულია ბ. კოზო-პოლიანსკის შრომებთან (1922). ცნობილია მ. გოლენკინის (1937), ა. *გროსჰეიმის* (1945), ა. *ტახტაჯიანისა* (1954, 1959, 1966, 1973) და სხვათა სისტემები.

მცენარეთა ს-ის განვითარებასთან ერთად შეიქმნა მრავალი „ფლორა" და სარკვევი, მაგ., კაპიტ. 30-ტომიანი „საბჭოთა კავშირის ფლორა", 1941 — 52 გამოვიდა „საქართველოს ფლორის" I გამოცემის რვატომეული. დაიბეჭდა აგრეთვე „საქართველოს მცენარეთა სარკვევის" 2 ტომი (1964, 1969), ა. მაყაშვილის „თბილისის მიდამოების ფლორის" ორტომეული (1952—53), ა. კოლაკოვსკის „აფხაზეთის ფლორის" ოთხტომეული (1938 — 1949, გამოვიდა მისი მეორე გამოცემის 2 ტომი, 1980—82), ა. დმიტრიევას „აჭარის მცენარეთა სარკვევი" (1960). ცალკეული სისტემატიკური ჯგუფების დეტალური შესწავლის, საექსპედიციო მუშაობის შედეგად დაგროვებული ფლორისტული მასალის საფუძველზე საჭირო გახდა „საქართველოს ფლორის" გადამუშავება და მისი ხელახალი გამოცემა (ამჟამად გამოცემულია 8 ტომი). გამოქვეყნდა მრავალი გამოკვლევა მცენარეთა გვარების, ქვეგვარების, სექციებისა და ცალკეული სახეობების შესახებ.

ლიტ.: Бобров Е. Г., Карл Линней. 1707—1778, Л., 1970; Гроссгейм А. А., Обзор новейших систем цветковых растений. Доп., ред. и прим. М. Ф. Сахокия, Тб., 1966; Тахтаджян А. Л., Происхождение и расселение цветковых растений, Л., 1970.

რ. გაგნიძე.

სისტემატიკა ცხოველთა, სისტემატიკის ნაწილი. პირველად დაამუშავა არისტოტელემ (ძვ. წ. IV ს.), აღწერა ცხოველთა 450-ზე მეტი ფორმა და დაყო სისხლიანებად და უსისხლოებად. სისხლიანები მან ასევე დაანაწილა ჯგუფებად, რ-ებიც დაახლ. თანამედროვე კლასებს შეესაბამებიან; უსისხლოების დანაწილება ნაკლებად სრულყოფილი გამოდგა. არისტოტელეს შემდეგ თითქმის 2 000 წლის მანძილზე არ განუცდია ცხოველთა ს-ს არსებითი ცვლილება. 1693 ჯ. რეიმ დაამკვიდრა ს-ის ძირითადი ერთეულის — *სახეობის* ცნება, რ-იც 1735 კ. *ლინემ* ცხოველებისა და მცენარეების კლასიფიკაციის მიზნით გამოიყენა. დაქვემდებარებული სისტემატიკური კატეგორიების (სახეობა, გვარი, რიგი, კლასი) შემოღებით ლინემ მნიშვნელოვნად დახვეწა ცხოველთა სისტემა. მისი „ბუნების სისტემის" X გამოცემაში (I—II ტ., 1758—59) აღწერილია 4200-ზე მეტი სახეობა, რ-თაგან 1222 ხერხემლიანია და 1936 — მწერი. ლინეს სისტემა არ იყო სრულყოფილი. მაგ., ზოოფიტების ხე-

ლოვნურ ჯგუფში მან გააერთიანა უმარტივესები, ნაწლავღრუიანები, კანეკლიანები და თავფეხიანები. ცხოველთა სისტემის დამუშავებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ჟ. ლამარკმა და ჟ. კიუვიემ. „უხერხემლოთა სისტემასა“ (1801) და „ზოოლოგიის ფილოსოფიაში“ (1809) ლამარკმა ყველა ცხოველი დაყო უხერხემლოებად და ხერხემლიანებად. უხერხემლოები მან 10 კლასად გაანაწილა. ნაშრომში „ცხოველთა სამეფო და მისი კლასიფიკაცია აგებულების პრინციპით“ (ტ. I—IV, 1817) ჟ. კიუვიემ გამოყო 4 შტო, რ-თაც ა. ბლენვილმა (1825) ტიპების მნიშვნელობა მიაკუთვნა. ესენია: რადიატები, სახსრიანები, მოლუსკები, ხერხემლიანები. 1826 რ. გრანტმა რადიატების ტიპიდან ღრუბლების ტიპი გამოყო, 1845 კ. ზიბოლდმა კიუვიეს რადიატები 3 ტიპად გაყო: უმარტივესებად, ზოოფიტებად და ჭიებად. ზოოფიტებს მან მიაკუთვნა რადიატების უმრავლესობა. ჭიებს შეუერთა ანელიდები, რ-ებიც გამოიყვანა კიუვიეს სახსრიანების ტიპიდან, ხოლო დარჩენილი ორგანიზმებით დააფუძნა ფეხსახსრიანების ტიპი. 1851 კ. ფოგტმა ჭიების ტიპი დაყო 3 ჯგუფად, რ-ებიც 1877 ე. რ. ლანკესტერმა ტიპების რანგში აიყვანა. 1874 კ. კლაუსმა ცხოველთა 9 ტიპი გამოყო: უმარტივესები, ნაწლავღრუიანები (ღრუბლებთან ერთად), კანეკლიანები, ჭიები, ფეხსახსრიანები, მოლუსკები, მოლუსკებისნაირნი, გარსიანები და ხერხემლიანები. ამ სისტემით სარგებლობდნენ XX ს. დასაწყისამდე. ცხოველთა სისტემა და მკვლევართა შეხედულება ტიპების რაოდენობასა და მოცულობაზე შემდგომ ცვლილებებს განიცდიდა. ცალკეულმა ჯგუფებმა, რ-თაც ადრეულ სისტემებში არ ჰქონდათ ადგილი და რანგი, დაიმკვიდრეს ისინი.

თანამედროვე სისტემის მიხედვით ცხოველთა სამეფო ორ ქვესამეფოდ იყოფა — ერთუჯრედიანებად (Protozoa) და მრავალუჯრედიანებად (Metazoa). პირველში შედის უმარტივესთა ტიპი (Protozoa). მრავალუჯრედიანებს ყოფენ ღრუბლებად (Spongia) და ნამდვილ მრავალუჯრედიანებად (Eumetazoa). ამ უკანასკნელებს ყოფენ Raddilia და Bilateria-დ, სადაც გამოყოფენ პირველადპირიანებს (Protostomia) და მეორეულპირიანებს (Deuterostomia). ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სისტემაში ტიპების რაოდენობა 10-იდან 33-მდე მერყეობს. ერთ-ერთი მიღებული სისტემის მიხედვით, მათი რაოდენობა არის 17: უმარტივესები (Protozoa), ღრუბლები (Spongia), ნაწლავღრუიანები (Coelenterata), სავარცხლურები (Ctenophora), ბრტყელი ჭიები (Plathelminthes), ნემერტინები (Nemertini), პირველადღრუიანები (Nemathelminthes), რგოლოვანი ჭიები (Annelida), ფეხსახსრიანები (Arthropoda), ონიქოფორები (Onihophora), მოლუსკები (Mollusca), საცეციანები (Tentaulata), კანეკლიანები (Echinodermata), პოგონოფორები (Pogonophora), ნახევრად ქორდიანები (Hemichordata), ჯაგარყბიანები (Chaetognatha), ქორდიანები (Chordata).

ცხოველთა სამყაროს შესწავლასთან ერთად იზრდება სახეობათა რაოდენობა. თუ არისტოტელემ აღწერა 454, ლინემ 4208, XVIII ს. II ნახევარში ცნობილი იყო 18338, XIX ს. I ნახევარში 48266, ხოლო XIX ს. ბოლოს 400 000-მდე სახეობა. თანამედროვე ს. ცხოველთა 1,3—1,5 მლნ. სახეობას ითვლის.

ლიტ.: ქ ა ჯ ა ი ა გ., სახეობის პრობლემა ბიოსისტემატიკაში, თბ., 1984; ჯ უ რ ა შ ვ ი ლ ი ბ., უხერხემლოთა ზოოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1980; Д о г е л ь В. А., Зоология беспозвоночных, 6 изд., М., 1975.

გ. ქაჯაია.

სისტემოტექნიკა, სამეცნიერო-ტექნიკური დარგი, რ-იც იკვლევს რთული სისტემების დაგეგმვის, პროექტირების, კონსტრუირებისა და ქცევის საკითხებს. ტერმ. „ს.“ წარმოიშვა XX ს. 60-იან წლებში სხვადასხვა ტიპის მართვის ავტომატიზირებელი სისტემების დამუშავებასთან დაკავშირებით. ს. წარმოადგენს გამოყენებითი მეცნიერების დარგს, რ-ის თეორ. საფუძველს შეადგენს *სისტემათა ზოგადი თეორია*. ს. ამ თეორიის მეთოდებს იყენებს რთული, ადამიანის მიერ ორგანიზებული, მიზანსწრაფული სისტემების სისტემური პროექტირებისათვის. ამასთან, ძირითადი ყურადღება ეთმობა პროექტირების ინფორმაციულ ასპექტს. ს-ში ფართოდ გამოიყენება კიბერნ. მოდელირების მეთოდები, რ-ის საფუძველზე დგინდება ამა თუ იმ დასაპროექტებელი სისტემის ეფექტურობის კრიტერიუმები, მისი ოპტიმალური კონსტრუირების პრინციპები და ა. შ. თანამედროვე რთული სისტემები შეიცავს მრავალ ქვესისტემას, რ-თა გაერთიანება ერთ მთლიან სისტემაში დიდ სირთულეებს ქმნის, აუცილებელი ხდება სისტემური მიდგომის გამოყენება, რისთვისაც იყენებენ *ოპერაციათა გამოკვლევის* მეთოდებს. ამ უკანასკნელის საშუალებით ადგენენ ქვესისტემების შეთანხმების კრიტერიუმებს, რ-თაც უნდა უზრუნველყონ მთლიანი სისტემის მიზნის ოპტიმალური მიღწევა. ს-ის მთავარი, ფუნდამენტური პრინციპია მაქს. ეფექტურობის პრინციპი, რ-იც შეიძლება დახასიათდეს, როგორც თანაფარდობა სისტემის ფუნქციონირების შედეგად მიღებულ ფასეულობასა და მის შექმნაზე გაღებულ ხარჯებს შორის. სისტემოტექ. პროექტირებას ფართოდ იყენებენ ისეთი სისტემის შექმნისას, როგორიცაა სისტემა „ადამიანი-მანქანა“ ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ფსიქოლ. მონაცემების გათვალისწინება და ამგვარ სისტემებში ინფორმაციული კანონზომიერებების დადგენა

ლიტ: Г у д Г.-Х., М а к о л Р.-Э., Системотехника. Введение в проектирование больших систем, пер. с англ., М., 1962.

ე. ჯულელი.

სისტოლა (ბერძნ. systolē — შეკუმშვა), გულის კუნთის ანუ მიოკარდიუმის შეკუმშვა; შედგება წინაგულების ს-ისა და პარკუჭების ს-გან. ურთიერთმიმდევარი ს. და *დიასტოლა* შეადგენენ გულის მოქმედების ციკლს. თუ ადამიანის გულის შეკუმშვათა რაოდენობა 1 წთ-ში არის 75, წინაგულების ს-ის ხანგრძლივობა 0,1 წმ იქნება, პარკუჭებისა კი — 0,3 წმ. წინაგულების ს-ის დროს სისხლი გადადის პარკუჭებში; ამ უკანასკნელთა ს-ის დროს კი სისხლი გადაისროლება აორტაში. დაწვრილებით იხ. *გული*.

სისუფთავის კლასები, სიმქისის კლასები, ახასიათებს ნაკეთობის ზედაპირის სიმქისეს ძირითადი პარამეტრების რიცხობრივი მნიშვნელობების ერთობლიობის მიხედვით. სიმქისის ძირითადი პარამეტრები გამოითვლება ფორმულებით: პროფილის საშ. არითმ. გადახრა $R_a=\frac{1}{l}\int_0^l |h|\,dx$; ათი წერტილის უსწორობათა სიმაღლე $R_z=\frac{(R_1+R_3+\cdots+R_9)-(R_2+R_4+\cdots+R_{10})}{5}$

სადაც l — საბაზო მანძილია h — პროფილის წერტილის გადახრა შუა ხაზიდან, R_1, R_2,..., R_{10} — პროფილის 5 უმაღლესი და 5 უმდაბლესი წერტილის მანძილი საბაზო სიგრძეზე შუა ხაზის პარალელურ ხაზამდე. გვაქვს სიმქისის 14 კლასი: 1, 2,..., 14. იხ. აგრეთვე სტ. *ზედაპირის სიმქისე*.

კ. ნუცუბიძე.

სისხლდენა, ჰემორაგია, სისხლის გადმოღვრა ტრავმის ან დაავადების შედეგად დაზიანებული სისხლძარღვებიდან. ს. შეიძლება იყოს არტერიული (წითელი სისხლი შადრევანივით ჩქეფს), ვენური (იღვრება მუქი ფერის სისხლი), კაპილარული და შერეული. ს-ის ინტენსივობა დამოკიდებულია დაზიანებული სისხლძარღვის სიდიდეზე, მისი კედლების მდგომარეობაზე. ს-ის დროს სისხლი შეიძლება გადმოიღვაროს გარეთ, ჩაიღვაროს რომელიმე ორგანოს (კუჭი, ნაწლავები, ტვინი) სანათურში ან სისქეში, აგრეთვე ღრუში (მუცლის, პლევრის). ს-ის დროს კანი და ლორწოვანი გარსები უფერულდება, აღინიშნება თავბრუ, სისუსტე, ქოშინი, წყურვილი. დიდი (სისხლის მოცულობის 25% ან სხეულის წონის 4—4,5%) ერთჯერადი ს. იწვევს ცნობიერების დაკარგვას და სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის. რაიმე დაავადებით დასუსტებული ადამიანები ცუდად იტანენ უმნიშვნელო ს-საც კი. თუ სისხლძარღვები ათეროსკლეროზულია, ს. უფრო ხანგრძლივია და ძნელად ჩერდება; ძალიან ძნელია ს-ის (რ-იც უმნიშვნელო ტრავმის შედეგადაც კი იწყება) შეჩერება ჰემოფილიით დაავადებულებში. ს-ის დროებითი შეჩერებისათვის კიდურებზე ადებენ ლახტს, დამწოლ ნახვევს, იყენებენ *სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებებს*. ს-ის საბოლოო შეჩერებისათვის მიმართავენ ქირურგ. მეთოდებს (სისხლძარღვის გადაკვანძვა, გაკერვა, დაზიანებული ორგანოს ან მისი ნაწილის მოცილება). ს-ის დროს აუცილებელია სისხლის, სისხლის შემცვლელებისა და სისხლის შედედების გამაძლიერებელი პრეპარატების გადასხმა.

სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებანი, ჰემოსტატიკური საშუალებანი, ფარმაკოლოგიური საშუალებანი, რ-ებიც ხელს უწყობენ სისხლდენის შეჩერებას. განარჩევენ ადგილ. მოქმედების ს. შ. ს-ს და ისეთებს, რ-თა სისხლის შემაჩერებელი ეფექტი ვლინდება მათი შეწოვის შემდეგ. ადგილობრივად სისხლის შეჩერება შეიძლება ბამბისა და მარლის ტამპონებით, რ-ებიც მექან. წინააღმდეგობას უწევენ სისხლის ნაკადს და ხელს უწყობენ სისხლძარღვის სანათურის დაცობას. ს. შ. ს-ს განეკუთვნება სისხლისაგან მიღებული ბევრი ნივთიერება. თრომბინს, რ-საც სისხლის პლაზმიდან ღებულობენ, იყენებენ კაპილარული სისხლდენის დროს (თრომბინში დასველებულ ტამპონებს ადებენ დაზიანებულ ადგილზე); ჰემოსტატიკურ ღრუბელს (მშრალი ნასვრეტებიანი მასა, რ-იც შეიცავს თრომბინს, თრომბოკინაზას და ზოგიერთ მარილს) ღებულობენ ადამიანისა და მსხვილ. რქ. საქონლის პლაზმისაგან; ადგილ. სისხლდენის დროს იყენებენ აგრეთვე სისხლძარღვთა შემავიწროებელ ნივთიერებებს (მაგ., ადგილ. ანასთეტიკებს უმატებენ ადრენალინს) და ა. შ. ფარმაკოლ. ნივთიერებებს, რ-თა სისხლის შემაჩერებელი ეფექტი ვლინდება ორგანიზმში შეწოვის შემდეგ, განეკუთვნება ჟელატინი, K ვიტამინის პრეპარატი — ვიკასოლი, ამინოკაპრონის მჟავა. ჟელატინი იხმარება (კანქვეშ) კუჭიდან და ნაწლავებიდან სისხლდენის დროს; მისგან ამზადებენ აგრეთვე სისხლის შემაჩერებელ ღრუბელს. ვიკასოლს იყენებენ პროთრომბინის ნაკლებობით გამოწვეული სისხლდენის დროს. ფართოდ ხმარობენ სისხლის შემადგენელ ნაწილს— ფიბრინოგენს (შეჰყავთ ვენაში), ზოგიერთი სამკურნ. მცენარის (მაგ., ჭინჭრის, ფარსმანდუკის) ნაყენსა და ექსტრაქტს. სისხლის შემაჩერებელი მოქმედება აქვს სისხლის წნევის დამწევ ზოგიერთ პრეპარატს, საშვილოსნოს მუსკულატურის შემკუმშველ პრეპარატებს (მაგ., პიტუიტრინი) და სხვ.

სისხლი, ჰეტეროგენული თხევადი ქსოვილი, რ-იც მოძრაობს ადამიანისა და ცხოველების *სისხლის მიმოქცევის სისტემაში*, უზრუნველყოფს უჯრედებისა და ქსოვილების ცხოველმოქმედებას და მათ მიერ სხვადასხვა ფიზიოლ. ფუნქციის შესრულებას. ს. შედგება პლაზმისა და ფორ-

მიანი ელემენტებისაგან (ერითროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები). ფორმიანი ელემენტები საშუალოდ შეადგენენ ს-ის საერთო მოცულობის 35—45%-ს. ადამიანის ორგანიზმში ს-ის მოცულობა მერყეობს სხეულის 1 *კგ* მასაზე 70—100 *მლ* ფარგლებში და საშუალოდ შეადგენს სხეულის საერთო მასის 6—8%-ს; ს. მეტი აქვთ მამაკაცებს (საშუალოდ 5200 *მლ*), ვიდრე ქალებს (საშუალოდ 3900 *მლ*). ს-ს, *სისხლმბად ორგანოებსა* და მათ სარეგულაციო აპარატს უწოდებენ ს-ის სისტემას (გ. ლანგი). ს., როგორც ქსოვილი, ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: ა) მისი შემადგენელი ნაწილები წარმოიქმნება არა ს-ის ფუნქციონირების ადგილზე, არამედ მის გან მოცილებით, ბ) ს-ის შუამდებარე ნაწილი თხევადია და გ) მისი ძირითადი მასა მუდმივ მოძრაობაშია, რითაც აპორციელებს ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოსა და სისტემას შორის ჰუმორალურ კავშირს. ს-ის ფორმიანი ელემენტების ძირითად მასას *ერითროციტები* წარმოადგენენ. მოზრდილი ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში საშუალოდ 4,5 — 5,5 მლნ. ერითროციტი ცირკულირებს. ერითროციტების მთავარი შემადგენელი ნაწილია სუნთქვითი პიგმენტი *ჰემოგლობინი*, რ-იც ჟანგბადთან მიერთებისას ქმნის ოქსიჰემოგლობინს, ხოლო ჟანგბადის გაცემის შემდეგ — აღდგენილ ჰემოგლობინს. ს-ის წითელი ფერი განპირობებულია ჰემოგლობინის შემცველობით და ალისფერიდან მუქ წითლამდე მერყეობს. ეს ცვალებადობა დამოკიდებულია მასში ოქსიჰემოგლობინის შემცველობაზე: რაც უფრო ნაკლებია ოქსიჰემოგლობინი, მით უფრო მუქი წითელია ს.

ს. ლიმფასთან ერთად ქმნის ორგანიზმის შინაგან გარემოს და უზრუნველყოფს მის ცხოველმოქმედებას, რისთვისაც აუცილებელია შინაგანი გარემოს შედგენილობისა და ფიზ.-ქიმ. თვისებების მუდმივობა (*ჰომეოსტაზი*). მის შენარჩუნებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებსა და ნერგულ სისტემას. ს-ის ქიმ. და უჯრედოვანი შედგენილობა მნიშვნელოვნად ასახავს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს და თვით ახდენს ორგანიზმის ცხოველმოქმედებაზე გავლენას.

ს-ის ფიზ.-ქიმ. თვისებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ს-ის რეაქცია (pH), რ-იც ძირითადად დამოკიდებულია მის არაორგ. შემადგენელ ნაწილებზე და გამოიხატება წყალბადის მაჩვენებლის სიდიდით. მის მუდმივობას დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმში მიმდინარე რთული პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის. ს-ის pH ნორმალურ პირობებში შეადგენს საშუალოდ 7,4; მისი მაჩვენებელი არტერიულ ს-ში 0,02-ით მეტია, ვიდრე ვენურში: ერითროციტების შიგთავსი კი 0,1—0,2-ით უფრო მჟავეა, ვიდრე პლაზმა. ს-ის რეაქცია განპირობებულია მისი ბუფერული სისტემების (ბიკარბონატული, ჰემოგლობინი, ფოსფატური, ს-ის პლაზმის ცილები) არსებობით, რ-თაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიკარბონატული სისტემა და ჰემოგლობინი. ბიკარბონატული სისტემის მოქმედების შედეგად ძლიერდება ნახშირორჟანგის გამოყოფა ფილტვების გზით, ხოლო ქლორიანი ნატრიუმისა — შარდის გზით, რაც გარკვეული გადახრის ან დარღვევათა პირობებში სწრაფად აღადგენს ს-ის ნორმალურ რეაქციას. ს-ის ბუფერული უნარის დაახლ. 75% დამოკიდებულია ჰემოგლობინზე. მისი აღდგენილი ფორმა უფრო სუსტი მჟავაა, ვიდრე ოქსიჰემოგლობინი, რის გამოც, მიუხედავად ვენურ ს-ში ნახშირორჟანგის დიდი რაოდენობით გადასვლისა, მისი pH უმნიშვნელოდ იცვლება, რადგანაც ვენურ ს-ში ოქსიჰემოგლობინი გარდაიქმნება აღდგენილ ჰემოგლობინად. ს-ის რეაქცია თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენს ოქსიჰემოგლობინის დისოციაციის მრუდზე. ს-ში მჟავასა და ფუძის ეკვივალენტებს შორის არსებობს მუდმივი და გარკვეული დამოკიდებულება, რასაც *მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა* ეწოდება. ს-ის რეაქციის გადახრას მჟავიანობისაკენ აციდოზი ჰქვია, ხოლო ტუტიანობისაკენ — ალკალოზი. როგორც ალკალოზი, ისე აციდოზი შეიძლება იყოს კომპენსირებული და არაკომპენსირებული. ს-ის რეაქციის მუდმივობის შენარჩუნებაში სუნთქვის ორგანოებთან ერთად, რ-ებიც ორგანიზმიდან გამოყოფენ ნახშირორჟანგს, დიდი მნიშვნელობა აქვს თირკმლებს, რ-თა საშუალებითაც ორგანიზმიდან გამოიყოფა მჟავებისა და ფუძეების ჭარბი რაოდენობა.

ს-სა და ლიმფას შორის სითხეების მოძრაობისათვის, აგრეთვე თირკმლის გორგლებში ფილტრატის (ანუ პირველადი შარდის) წარმოქმნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ს-ის ოსმოსურ წნევას. იგი განპირობებულია ს-ის მოცულობის ერთეულში არსებული ყველა ნაწილაკის (მოლეკულები, იონები, კოლოიდური სხეულაკები), ძირითადად კი — სუფრის მარილისა და სხვა დაბალმოლეკულური ნაერთების შემცველობით. ოსმოსური წნევა სხეულის 37°C ტემპ-რის პირობებში შეადგენს დაახლ. 7,6 ატმ. მის მეტად მცირე ნაწილს, დაახლ. 1/200-ს , ე. ი. 0,03—0,04 ატმ-ს, რ-იც განპირობებულია ს-ის ცილებით და აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის, *ონკოზური წნევა* ეწოდება და წყალსა და ელექტროლიტებს აკავებს სისხლძარღვთა კალაპოტში. ხსნარებს, რ-თა ოსმოსური წნევა ს-ის ოსმოსური წნევის ტოლია, იზოტონური ეწოდება. მისი კონცენტრაცია ადამიანისა და თბილსისხლიანი ცხოველებისათვის შეადგენს სუფრის მარილის 0,9%-ს (0,154) და ფიზიოლ. ხსნარი ჰქვია.

სისხლძარღვებში ს-ის მოძრაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის დენადობას ანუ წებოვნებას, რ-იც მკვეთრად განსხვავებულია მსხვილ სისხლძარღვებსა და კაპილარებში მიმდინარე ს-თვის. ს-ის ამ თვისებაზეა დამოკიდებული სითბოსა და მასის გადატანის მოვლენები, რ-საც შეისწავლის ჰემორეოლოგია. ს-ის დენადობა არსებითად იცვლება ზოგიერთი პათოლოგიური მდგომარეობის დროს. მაგ., როდესაც ს-ის შედედების სისტემა გააქტიურებულია, სისხლძარღვთა კედლებზე ს-ის კოლტები წარმოიქმნება, რ-თა წებოვნება გაცილებით მაღალია. ს-ის წებოვნება დაახლ. 5-ის ტოლია და მატულობს ს-ის შესქელების დროს.

ს-ის ჰეტეროგენურობის გამო სისხლძარღვის გარეშე შეუდედებელი ს. ილექება, რასაც ერითროციტების დალექვა ეწოდება. ერითროციტების დალექვის სიჩქარე (ედს) დამოკიდებულია ს-ის შემადგენელი ნაწილების ფიზ.-ქიმ. თვისებებზე. მას წინ უსწრებს ერითროციტების აგრეგაცია, იგი მატულობს ზოგიერთი დაავადების, განსაკუთრებით ანთებითი პროცესების დროს.

ს-ის ძირითადი ფუნქციაა ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი სხვადასხვა ნივთიერების ტრანსპორტი. ს-ის საშუალებით ხდება ჟანგბადის გადატანა ფილტვებიდან ქსოვილებში, ხოლო ნახშირორჟანგისა — ქსოვილებიდან ფილტვებში (სუნთქვითი ფუნქცია). ჟანგბადის ტრანსპორტში მონაწილეობს ჰემოგლობინი, რ-იც ადვილად იერთებს ჟანგბადს და ქმნის მასთან არამტკიცე ნაერთს. აირთა ცვლა ქსოვილებს, ს-სა და ფილტვებს შორის დამოკიდებულია მათში აირების პარციალურ წნევათა სხვაობაზე. ს-ის მიმოქცევის დიდი წრის კაპილარებში გავლისას არტერიული ს. გასცემს ჟანგბადს და მდიდრდება ნახშირორჟანგით, ე. ი. გარდაიქმნება ვენურ ს-ად; ეს უკანასკნელი ფილტვების კაპილარებში გავლისას გასცემს ნახშირორჟანგს და მდიდრდება ჟანგბადით, ე. ი. კვლავ არტერიული ხდება. აირების ცვლა ხორციელდება მათი დიფუზიის გზით. ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის გადატანაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ერითროციტებს, რ-ებიც შეიცავენ ჰემოგლობინსა და ფერმენტ კარბოანჰიდრაზას. ჰემოგლობინი ჟანგბადთან ქმნის არამტკიცე ნაერთს— ოქსიჰემოგლობინს, რ-იც ადვილად იშლება, კარბოანჰიდრაზა კი აჩქარებს ნახშირორჟანგიდან ნახშირმჟავას წარმოქმნას.

ს-ის სატრანსპ. ფუნქციის მეშვეობით ხდება ბგრეთვე გლუკოზის, ამინომჟავების, ცხიმოვანი მჟავების, ვიტამინების, მინერ. ნივთიერებებისა და სხვათა გადატანა საჭმლის მომნელებელი სისტემიდან და ამ ნივთიერებათა დეპო ორგანოებიდან ქსოვილებში (კვებითი ფუნქცია). ს-ის საშუალებით ხდება ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტების (კრეატინინი, შარდმჟავა, შარდოვანა და სხვ.), აგრეთვე ს-ში ჭარბი რაოდენობით არსებული ზოგიერთი ნივთიერების (მჟავები, მარილები, წყალი და სხვ.) მიტანა თირკმელებთან და სხვა გამომყოფ ორგანოებთან (კანი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი), რ-ებიც ათავისუფლებენ ორგანიზმს ამ ნივთიერებებისაგან (ექსკრეციული ფუნქცია). ს-ში არსებული მრავალი ტოქსიკური ნივთიერება, რ-იც წარმოიქმნება ორგანიზმში მიმდინარე პროცესების დროს (ზოგიერთი ამინი, ინდოლი და სხვ.) ღვიძლში გაუვნებელდება, შემდეგ იგი ს-ს მიაქვს თირკმლებთან და გამოიყოფა შარდთან ერთად.

ს-ში გადადის და მას დანიშნულებისამებრ მიაქვს ყველა ჰორმონი და ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერება, რ-იც მოქმედებს უშუალოდ ორგანოებზე ან ცენტრ. ნერვულ სისტემაზე და ამ გზით არეგულირებს ამ ორგანოთა ფუნქციებს (მარეგულირებელი ფუნქცია). ს-ის სხვა შემადგენელი ნაწილებისაგან განსხვავებით ჰორმონების კონცენტრაცია ორგანიზმის ფიზიოლ. მდგომარეობასთან დაკავშირებით დიდ ფარგლებში მერყეობს. დამახასიათებელია აგრეთვე ჰორმონების დღე-ღამური, სეზონური, ხოლო ქალებისათვის აგრეთვე თვიური ციკლები.

ს. შეიცავს მრავალ ანტისხეულს, ლიზინსა და ფერმენტს, რ-ებიც ორგანიზმს იცავენ სხვადასხვა ინფექციისაგან და ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსიკური ნივთიერებებისაგან (დაცვითი ფუნქცია). ამ ფუნქციაში განსაკუთრებით დიდია ლეიკოციტების ფაგოციტური უნარის როლი, რაც განაპირობებს იმუნიტეტის (ორგანიზმის შეუვალობის) გამომუშავებას. იმუნიტეტის ჰუმორული ფაქტორებია იმუნოგლობულინები, რ-თა სინთეზი სხვა ცილოვანი ფრაქციებისაგან განსხვავებით ხდება არა ღვიძლში, არამედ ლიმფოციტებში.

ს-ის საშუალებით ხდება სხეულის ტემპ-რის რეგულაცია: სხეულის გადახურების საშიშროებისას ს. მოძრაობს სხეულის ზედაპირისკენ, რითაც იზრდება სითბოს დაკარგვა, ხოლო სხეულის გაციების საშიშროებისას, პირიქით. ს. ინაცვლებს შინაგანი ორგანოებისაკენ, რითაც მცირდება სითბოს დაკარგვა (თერმორეგულაციური ფუნქცია).

ლიტ.: **Новое в гематологии**, под ред. А. И. Воробьева и Ю. И. Лорие, М., 1974; **Физиология системы крови. Физиология эритропоэза**, Л., 1979.

ა. აბესაძე.

ს-ის *პათოლოგია*. თირკმლების, ღვიძლისა და სხვა ორგანოების, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციური დარღვევების, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლის შედეგად ს-ში ხდება გარკვეული ცვლილებები, რ-თა დადგენას სადიაგნოზო მნიშვნელობა აქვს. სხვადასხვა სახის ანემიის დროს ჰემოგლობინის რაოდენობა კლებულობს, ერითროციტე-

გის სიჭარბის შემთხვევაში კი — მატულობს. სისხლწარმოქმნის თანდაყოლილი ანომალიების და დაავადების (ჰემოგლობინოზი ან ჰემოგლობინოპათია) დროს ერითროციტებში ჩნდება ანომალიური ჰემოგლობინი, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემიისათვის (თალასემია და სხვ.). ლეიკოციტების რაოდენობამ სხვადასხვა პათოლ. დროს შეიძლება მოიმატოს (ლეიკოციტოზი) ან დაიკლოს (ლეიკოპენია). ლეიკოციტების რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს გარკვეული სადიაგნოზო და საპროგნოზო მნიშვნელობა აქვს. თრომბოციტების რაოდენობა მატულობს (თრომბოციტოზი) სისხლდენის შემდეგ, აგრეთვე *ლეკოზის* ზოგიერთი ფორმის დროს (ქრონ. *მიელოლეკოზი*, ოსტეომიელოსკლეროზი, *ერითრემია*). თრომბოციტების რაოდენობის შემცირება (თრომბოციტოპენია) შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთმა ფიზ. და ქიმ. ფაქტორმა. თრომბოციტების რაოდენობის მკვეთრი შემცირება აღინიშნება თრომბოციტოპენიური პურპურის (იხ. *პურპურა თრომბოციტოპენიური*), მწვავე ლეიკოზის, ჰიპო- და აპლასტიკური ანემიის დროს.

ს-ის ცვლილებები შეიძლება იყოს რეაქციული, როდესაც ისინი ვითარდება როგორც ორგანიზმის საპასუხო რეაქცია სხვადასხვა სახის გამღიზიანებელზე (სისხლდენა, ინფექციები, ეგზო- და ენდოგენური ალერგენები, ტოქსიკური ნივთიერებები და სხვა), და პათოლოგიური, რ-ებიც ვითარდება ს-ის სისტემის დაავადების, ლეიკოზისა და ჰემორაგიული დიათეზის დროს.

ე. მაკალათია.

ს. ანთროპოლოგიაში, ადამიანის ფიზიოლ. ნიშნებიდან ანთროპოლოგიაში ყველაზე მეტი გამოყენება აქვს ს-ის თავისებურებებს, რ-თა მიხედვითაც გამოყოფენ ე. წ. იზოაგლუტინაციურ ჯგუფებს. ს-ის იზოაგლუტინაციური თავისებურებები მტკიცე შთამომავლობითია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში უცვლელია, მასზე არ მოქმედებს არავითარი გარეშე ფაქტორი. ანთროპოლოგიაში ამ მოვლენის გამოყენება დაიწყო 1919-იდან, როდესაც ექიმებმა გ. და ლ. გირშფელდებმა დაადგინეს, რომ ს-ის სხვადასხვა ჯგუფის პროცენტული განაწილება სხვადასხვა ეროვნ. ჯგუფს შორის სხვადასხვაგვარია. მაგ., თუ ინგლისელებს შორის A ჯგუფის ს. აქვს 43,4%, ხოლო B ჯგუფისა — 7,2%, ინდოელებს შორის A ჯგუფისაა — 19,0%, ხოლო B ჯგუფისა — 41,2%. ჩატარდა სხვადასხვა რასისათვის დამახასიათებელი ს-ის დომინანტური ფორმების გამოსაყოფი რამდენიმე ცდა, რ-იც მეტ-ნაკლებად წარმატებით დამთავრდა. კავშირი რასასა და ს-ის დომინანტურ ჯგუფებს შორის ზოგადად დადასტურდა, უშუალო კავშირზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, ვინაიდან რასა მორფოლ. კატეგორიაა და არ არის დაკავშირებული რაიმე სხვა ხასიათის ნიშანთან; რასების მორფოლ. თავისებურებები და ს-ის იზოაგლუტინაციური თავისებურებები სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა, არ იყო ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირებული და ამდენად მათი თანხვედრა საძიებელია არა უმაღლეს (დიდი რასების), არამედ უფრო დაბალ (ქვერასების, ანთროპოლ. ჯგუფებისა და ლოკალური ვარიანტების) დონეზე, რაც ხშირად ფასდაუდებელ სამსახურს უწევს სპეციალისტებს ეთნოგენეზის კვლევისას.

მ. აბდუშელიშვილი.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 368.

„სისხლი“ (სამართ. ისტ.), სასჯელის სახე, ქონებრივი საზღაური სისხლის სამართალდარღვევისათვის ძვ. საქართველოში. „ს.“ სხვადასხვაგვარი დანაშაულისათვის იყო დაწესებული; ჩვეულებრივ, მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის, აგრეთვე ცოლის უმიზეზოდ დაგდებისა თუ „განტევებისათვის“, ვისიმე დანაშაული ქალის მოტაცებისათვის, მიზდომისა და ციხის დაცვევისათვის და სხვ. „ს-ა“ შეცვალა შურისძიების, *სისხლის აღების* ჩვეულება. იგი *კომპოზიციის* ფართოდ გავრცელებულ, ძირითად ფორმას, *ვერგელდის* ანალოგს წარმოადგენდა ქართ. სამართალში (არსებობდა კომპოზიციის სპეც. სახეობანიც, კერძოდ, განსაკუთრებული ქონებრივი საზღაური ჭრილობისათვის — გერში, შეურაცხყოფისათვის — *საუპატიო* თუ *უარზანგობა*, ქურდობისათვის — *შვიდეული*, მესისხლეთა დაზავებისათვის — *საპირო*, „ს-ის“ ზღვევის საწინდარი — *საწახშირო*). „ს.“ დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ სასამართლოს მეშვეობით ეკისრებოდა. ასეთი საზღაურის გადახდას „სისხლის დაურება“ ეწოდებოდა. თავდაპირველად საზღაურის გადახდაში მონაწილეობა დამნაშავის მთელ გვარს, შემდეგ კი ნათესავთა შედარებით უფრო ვიწრო წრესა და, ბოლოს, მხოლოდ ოჯახს ევალებოდა. დანაშაულებრივი თვითგასწორების შემთხვევაში სათანადო საზღაურის გადახდა თავ-თავიანთი დანაშაულისათვის ორივე მხარეს ეკისრებოდა და „ს.“ ურთიერთშეფარდებით ბიცეგმოდა. „ს-ს“ ითვალისწინებს სამართ. წიგნები და სიგელ-გუჯრები. კანონმდებლობაში „ს.“ *ჩვეულებითი სამართლის* სფეროდან შევიდა.

საზღაურის ოდენობა დაზარალებულის სოც.-წოდებრივი მდგომარეობით („გვარობის სისხლი“) და დანაშაულის სიმძიმით განისაზღვრებოდა. წოდებებისა თუ სოც. ჯგუფების წარმომადგენელთა „სისხლის ფასი“ წინასწარ იყო გათვალისწინებული ჩვეულებით თუ კანონმდებლობაში. მაგ., „ძველად დადებული“ და ვახტანგ VI-ის სამართ. წიგნში შეტანილი „სისხლის განაჩენების“ მიხედვით, დიდებული თავადის „მთელი სიკუდილის სისხლი“ 1536, „გადიდებულის აზნაურისა“ — 192, მსახურისა — 24, გლეხკაცისა კი 12 თუმანს შეადგენდა. საერთოდ, „ს-ს“ იხდიდნენ გვარისა და ღირსების, ფეოდ.-წოდებრივ იერარქიაში დაკავებული ადგილის კვალობაზე — შესაბამისად „ჩინებისა მათისა... ზეიდამ ქუეით ნახევრად, ანუ ქუეიდამ ზევით ერთორად“ (ვახუშტი ბატონიშვილი). „სისხლის დაურების“ სისტემა კაზუისტიკურ პრინციპზე იყო აგებული. დანაშაულის ჩადენა შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებში შესაბამისად ამცირებდა ან ადიდებდა საზღაურის რაოდენობას. სახელდობრ, გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“ ვითარებისდა მიხედვით დადგენილია ორმაგი, 1, 1/2, 1/3, 1/4, 1/5 და 1/6 „სისხლის დაურება“. სასაფლაოზე თავდასხმით მკვლელობისათვის დამნაშავე „ს-ს“ სამეცად იხდიდა (ვახტანგ VI-ის სამართალი, მ. 50). ხელმწიფის მოხელის მკვლელობისა თუ დაჭრისათვის დამნაშავეს დამატებით „საკელოს სისხლიც“ უნდა გადაეხადა. სამართ. ძეგლებში საგანგებოდაა განსაზღვრული „კაცის აგებულობის სისხლი“ ანუ ცალკეული ორგანოს დაშავების საზღაური. ორთავ თვალის (ასევე ხელების ან ფეხების) სრულიად წახდენა კაცის სიკვდილად მიიჩნეოდა და დამნაშავე „მთელ სისხლს“ იხდიდა. *ფათერაკის* საზღაურს „საფათერაკო სისხლი“ ერქვა. „ს.“, მართალია, ფულადი სახით განისაზღვრებოდა, მაგრამ მისი გადახდა პირუტყვით, სხვადასხვანაირი ნივთეულობითა და ყმა-მამულითაც შეიძლებოდა. „ს-ის“ ანგარიშში აღებულ ქონებას „ნასისხლი“ („ნასისხარი“) ეწოდებოდა. საზღაურად დაზარალებულს ზოგჯერ თვით დამნაშავეც გადაეცემოდა („ჯელთა მიცემა“).

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—6, თბ., 1963—77.

ლიტ.: დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957; მისივე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953; ვაჩეიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1946; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1, ტფ., 1928; წგნ. 2, ნაკვ. 1—2, ტფ., 1928—29. *ი. ფუტკარაძე.*

„სისხლიანი კანონმდებლობა ბესარიონისა“, ასე უწოდა კ. მარქსმა („კაპიტალი“, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 921) ტიუდორების ბიერ მაწანწალებისა და მათხოვრების წინააღმდეგ XV ს. დამლევსა და XVI ს-ში გამოცემულ კანონებს. ამ კანონებით მკაცრად ისჯებოდნენ მაწანწალები და ის მათხოვრები, რ-ებიც ხელისუფალთა ნებადაურთველად აგროვებდნენ მოწყალებას. შემჩნეულ პირებს აწამებდნენ, დაღავდნენ, მონებად აქცევდნენ დროებით, ხოლო გაქცევის შემთხვევაში — სამუდამოდ, მესამედ დაჭერისას კი სიკვდილით სჯიდნენ. ამ რეპრესიების მთავარი მსხვერპლი იყო *შემოლობვათა* შედეგად მიწიდან აყრილი გლეხობა. განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა 1536 და 1547 კანონები. ამ კანონებმა ვერ შეაჩერეს პაუპერიზმისა და მაწანწალობის პროცესი, ხოლო მიწიდან აგრილი გლეხები იაფფასიან მუშახელად აქციეს. ანალოგიური კანონები სხვა ქვეყნებშიც (ნიდერლანდი, საფრანგეთი) არსებობდა.

სისხლიანი ჯვირა, იხ. *ცხრა იანვარი 1905.*

სისხლით ნათესაობა, იხ. სტ. *ნათესაობა.*

სისხლის აირები, აირები, რ-ებიც ცხოველებისა და ადამიანის სისხლში შეიძლება იყოს როგორც ფიზიკურად გახსნილ მდგომარეობაში, ისე ქიმიურად შეკავშირებული არამდგრადი ნაერთების სახით. არტერიული სისხლი შეიცავს 18—20 მოცულობით პროცენტ ჟანგბადს, 50—52% ნახშირორჟანგს და 1% აზოტს. ვენურ სისხლში, პირიქით, ნაკლებია ჟანგბადი და მეტია ნახშირორჟანგი. ს. ა. სისხლში გარემოდან აღწევენ ან თვით ორგანიზმში წარმოიქმნებიან. ნახშირორჟანგი მონაწილეობს სისხლის ბუფერული სისტემის შემადგენელი მარილების წარმოქმნაში, ჟანგბადი კი *ჰემოგლობინთან* ქმნის ოქსიჰემოგლობინს. ს. ა-ის წნევის ცვლილება განაპირობებს ჟანგბადის შიმშილსა და სხვა დარღვევებს. სისხლში შეიძლება შეაღწიოს აგრეთვე ნარკოტიკულმა, ტოქსიკურმა და სხვ. აირებმა. *ა. აბესაძე.*

სისხლის აღება, გვაროვნულ წყობილებაში, წინაკლასობრივ სზ-ბაში წარმოქმნილი და საყოველთაოდ გავრცელებული ჩვეულება — სამაგიეროს მიზღვა მკვლელობისათვის (ან დაჭრისათვის). ყველა ხალხსა და ქვეყანაში ს. ა. შურისძიების ერთ-ერთი სახეობა იყო. ს. ა-ის ჩვეულება მოითხოვდა პირველ რიგში დამნაშავის დასჯას (მოკვლას, დაჭრას), შეიძლებოდა მკვლელის ნაცვლად მისი ახლობლის (შვილი, მამა, ძმა, ბიძაშვილი), ზოგან თანამოგვარის მოკვლა, რადგან, ს. ა-ის წესების თანახმად, მოსისხლედ ითვლებოდა მკვლელის მთელი გვარი. ხანდახან მოსისხლეობა გრძელდებოდა მოქიშპე მხარეების შორის მოკლულთა ან დაჭრილთა რაოდენობის გათანაბრებამდე. ს. ა-ის ჩვეულებას კლასობრივ სზ-ბაში შეენაცვლა *კომპოზიცია*. უმთავრეს შემთხვევაში თემის ბჭეები იყენებდნენ კომპოზიციის წესს, დამნაშავეს განსაზღვრულ თანხას (ფულად ან ნატურით) ახდევინებდნენ დაზარალებულის სასარგებლოდ და მოსისხლეთა შერიგებას აღწევდნენ. ს. ა-ის ჩვეულება და მისი შეზღუდვისა თუ აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებანი ასახულია ძვ. ქართ. საკანონმდებლო ძეგლებში, როგორიცაა გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ“, ბექას და აღბუღას სამართალი, ლევან და ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილების „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“.

სსრკ-ში ს. ა-ის ჩვეულება პრაქტიკულად აღმოფხვრილია. ს. ა-ის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობისათვის სასჯელს ითვალისწინებს საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდექსი (მ. 104).

ლიტ.: ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978; ხარაძე რ., ხვედრული რჯული (სისხლ-მესისხლეობა), «ანალები», 1947, [ტ.] 1; Kocsen M. O., Преступление и наказание в догосударственном обществе, М.—Л., 1925. *ვ. ითონიშვილი.*

სისხლის აღრევა, ინცესტი, სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავებს შორის. სსრკ-ში ქორწინება არ დაიშვება პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის, აგრეთვე ღვიძლ და არაღვიძლ დასა და ძმას შორის (საქ. სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი, მ. 18, ბ). ზოგ ქვეყანაში ს. ა. სისხლისსამართ. პასუხისმგებლობას იწვევს.

ძვ. საქართველოში ნათესავთა ცოლქმრობას „უხდურობა" ერქვა. იგი განიხილებოდა, როგორც „დასაწყევლელი" „ურჯულობა" და „ყოველთა ავთა საქმეთა საძირკველი" (ქართ. სამართ. ძეგლები, ი. დ.ოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963). *ვ. მაყაშვილი.*

სისხლის გადასხმა, ჰემოტრანსფუზია, ავადმყოფის (რეციპიენტის) სისხლძარღვში (ვენა, არტერია) დონორის სისხლის ან სისხლის კომპონენტების გადასხმა სამკურნალო მიზნით. ცირკულაციაში მყოფი სისხლის მოცულობისა და მისი ოსმოსური წნევის აღსადგენად, აგრეთვე ინტოქსიკაციის დროს ასხამენ *სისხლის შემცვლელ სითხეებს* და დეზინტოქსიკაციურ ხსნარებს. ს. გ-ს მიმართავენ ტრავმული შოკის, ძლიერი სისხლდენის, მძიმე დამწვრობისა და ინფექციის, მოწამვლის, ქრონ. პოსტჰემორაგიული *ანემიის* და სხვ. დროს. ს. გ. რეციპიენტის ორგანიზმზე კომპლექსურად მოქმედებს: დონორის სისხლი ავსებს დაკარგულ ერითროციტებს, სისხლის ცილებს და სხვ. კომპონენტებს, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და სხვადასხვა ორგანოს ფუნქციას, სისხლის შედედების უნარს, ორგანიზმის დაცვით ძალებს, ანეიტრალებს შხამიან ნივთიერებებს და სხვ.

ს. გ. შეიძლება პირდაპირი (დონორიდან რეციპიენტს) და არაპირდაპირი (დონორის სისხლს წინასწარ აგროვებენ კონსერვანტიან ჭურჭელში) გზით პერიფერიულ და მსხვილ ვენებში წვეთოვანი წესით; სისხლს უსხამენ არტერიაში, აორტაში, ძვლის ტვინში; არსებობს საკუთარი ს. გ-ის — ავტოჰემოტრანსფუზიის მეთოდიც (იხ. *ავტოჰემოთერაპია*). ს. გ-ის წინ აუცილებელია რეციპიენტის სისხლის ჯგუფის, *რეზუს ფაქტორის*, რეციპიენტისა და დონორის სისხლის ინდივიდ. შეთავსების გამოკვლევა, ბიოლ. სინჯის ჩატარება (20—25 *მლ* სისხლის შეყვანის შემდეგ 10—15 *წთ* აკვირდებიან ავადმყოფს) და სხვ. I ჯგუფის რეზუსუარყოფითიანი სისხლი უნივერსალურია ყველა სხვა სისხლის ჯგუფის ავადმყოფებისათვის; სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, ავადმყოფს უსხამენ იმავე ჯგუფის სისხლს, რ-იც თითონ აქვს. ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეთავსებული ს. გ. საუკეთესო სამკურნ. ეფექტს იძლევა. ს. გ. უნდა ჩატარდეს *ასეპტიკის* ყველა წესის დაცვით. აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ჰემოტრანსფუზიული გართულებანი. პოსტტრანსფუზიული შოკი, ჰემოლიზური შოკი, ემბოლიური და სხვ. გართულებანი. ჰემოტრანსფუზიული რეაქციის (შემცივნება, ტკივილი წელის არეში, გულისრევა, გამონაყარი და სხვ.) შემთხვევაში ავადმყოფს თბილად ახურავენ, აძლევენ ცხელ სასმელს, შეჰყავთ კოფეინი, პიპოლფენი, ნარკოტიკული საშუალებები.

ბოლო წლებში მთლიან სისხლთან ერთად ფართოდ იყენებენ სისხლის ცალკეული კომპონენტის (ერითროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტული მასა, სისხლის პლაზმა) გადასხმას (კომპონენტური თერაპია), რაც ხელს უწყობს ტრანსფუზიული თერაპიის მიზნობრივად გამოყენებას, სისხლის შედგენილობაში არსებული დეფიციტის შევსებას. მრავალჯერადი გადასხმის მიუხედავად იგი ნაკლებად იწვევს რეციპიენტის ორგანიზმის სენსიბილიზაციას. ს. გ-ის სამკურნ. ეფექტი დამოკიდებულია როგორც სისხლის დაკონსერვებისა და გადასხმის მეთოდებზე, ისე რეციპიენტის ორგანიზმის მდგომარეობაზე. *ა. აბესაძე.*

სისხლის გადასხმის სადგური სსრკში, სამედიცინო დაწესებულება, რ-იც ახორციელებს სისხლის დამზადებისა და *სისხლის გადასხმის* ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას. ს. გ. ს-ს ევალება დონორების ქსლის დაგეგმვა და დაკომპლექტება, მათი აღრიცხვა და სამედ. გამოკვლევა, დაკონსერვებული სისხლის, მისი პრეპარატებისა და შემცვლელების დამზადება და შენახვა, სამკურნ. დაწესებულებაში განაწილება, სამკურნ. დაწესებულებათა პრაქტიკაში სისხლის გადასხმის ახ. მეთოდების, სისხლის ახ. პრეპარატებისა და შემცვლელების დანერგვა, ამ დარგში ექიმებისა და საშ. სამედ. პერსონალის მომზადება, სამედ. დაწესებულებათა მუშაობის კონტროლი სისხლის გადასხმის საკითხებში. ადმ. ხაზით ს. გ. ს. ექვემდებარება ჯანდაცვის სათანადო განყ-ბას, ორგანიზაციულ-მეთოდური ხაზით — სისხლის გადასხმის ინ-ტებს.

სისხლის დაკონსერვება, ფიზიოლოგიურად სრულყოფილი და პრაქტიკული გამოყენებისათვის ვარგისი სისხლის ხანგრძლივი დროის მანძილზე შენახვა ორგანიზმის გარეშე. ს. დ. *სისხლის გადასხმის* ფართოდ გამოყენების საშუალებას იძლევა, რადგან ამ დროს საჭიროებისამებრ შესაძლებელია წინასწარ დამზადებული მთლიანი სისხლის, ერითროციტული, ლეიკოციტური და თრომბოციტული მასების ნებისმიერი რაოდენობით გამოყენება. შუმუშაებულია ს. დ-ის 2 ძირითადი მეთოდი: დადებით (+4+6°C) ტემპ-რაზე (ჩვეულებრივ საოჯახო მაცივარში) შენახვა და ულტრადაბალ (—196°C) ტემპ-რაზე კრიოკონსერვაცია თხიერი აზოტით. ს. დ. დადებით ტემპ-რაზე ხდება სტაბილიზატორების (ლიმონმჟავა ნატრიუმი, სშ. ლიმონმჟავა ნატრიუმი, რ-საც ზოგჯერ უმატებენ გლუკოზას, საქაროზას და სხვ.) საშუალებით. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნისათვის იყენებენ და რა ნივთიერებით ამდიდრებენ დაკონსერვებულ სისხლს, განარჩევენ გლუკოზა-ციტრატულ სპირტიან, ანტიციტოლიზებულ (დიპრაზინ-ამინაზინი) სისხლს და ა. შ. იხმარება აგრეთვე ჟანგბადით, ვიტამინებით, ზოგიერთი ფერმენტით გამდიდრებული დაკონსერვებული სისხლი. დადებით ტემპ-რაზე დაკონსერვებული სისხლი ინახება 10—25 დღე. უფრო ხანგრძლივი დროით ს. დ-თეის მიმართავენ ულტრადაბალ ტემპ-რაზე სისხლის გაყინვის მეთოდს. იმისათვის, რომ სისხლმა არ დაკარგოს თავისი თვისებები, მას უმატებენ ე. წ. დამცველ ხსნარებს—კრიოპროტექტორებს, რაც სისხლისა და მისი კომპონენტების რამდენიმე (5—7) წლის მანძილზე შენახვის საშუალებას იძლევა. ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ისაა, რომ გადასასხმელად გალღობილი სისხლი გადასხმის წინ დამცველი ხსნარების მოსაცილებლად ფიზიოლ. ხსნარით 2—3-ჯერ უნდა გაირეცხოს. ბოლო წლებში მაღალი სამკურნ. ეფექტურობის გამო ფართოდ დაინერგა ძვლის ტვინის დაკონსერვება. ს. დ-ის დროს აუცილებელია ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების მკაცრად დაცვა. ს. დ-მდე საჭიროა მისი შემოწმება მალარიაზე, ბრუცელოზზე, ათაშანგზე და სხვ. *გ. კევლიშვილი.*

სისხლის დენა, ორგანო-რეზერვუარი, სადაც გროვდება სისხლის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რ-საც ეს ორგანო არ გამოიყენებს, მაგრამ საჭიროების დროს გადაისვრის სისხლის საერთო ნაკადში. ასეთებია ღვიძლი, ელენთა, ფილტვები და კანქვეშა სისხლძარღვები. ღვიძლი აკავებს სისხლის საერთო რაოდენობის დაახლ. 20%-ს, თითქმის ამდენივეს ინახავს ელენთა. ღვიძლში დეპონირებასთან ერთად სისხლის კონცენტრირებაც ხდება. ელენთაში დეპონირებული სისხლი, რ-იც მდიდარია ერითროციტებით, მნიშვნელოვნად არის იზოლირებული სისხლის საერთო ნაკადისაგან. დეპონირების დანიშნულებაა დროულად მიაწოდოს სისხლი ინტენსიურად მოფუნქციე ორგანოებსა და ქსოვილებს. *ა. ბაკურაძე.*

სისხლის მიმოქცევა, სისხლის განუწყვეტელი წრიული მოძრაობა ცოცხალი ორგანიზმის გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო ფუნქციის განხორციელებას. ქსოვილები სისხლით ღებულობენ ჟანგბადს, საყუათო ნივთიერებებს, წყალს, მარილებს, ვიტამინებს, ჰორმონებს და სხვა ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებებს. ამასთანავე, სისხლს ქსოვილებიდან გამოაქვს ნახშირორჟანგი და ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტები, გადააქვს შინაგანი სეკრეციის პროდუქტები—ჰორმონები და ამით უზრუნველყოფს მათი საშუალებით ორგანოთა ფუნქციების კორელაციას. სისხლძარღვთა შევიწროება-გაფართოების გზით ორგანიზმიდან ხდება სითბოს შემცირებული ან გაძლიერებული გაცემა, რაც უზრუნველყოფს ფიზ. თერმორეგულაციას.

სისხლის მოძრაობა — ჰემოდინამიკა ემყარება ჰიდროდინამიკის კანონებს, ე. ი. სისხლი სისხლძარღვთა სისტემაში მოძრაობს წნევათა სხვაობის გამო: მაღალი წნევიდან დაბალში — არტერიებიდან კაპილარების გავლით სისხლი ვენებით მიდის გულისაკენ, ამ წნევათა სხვაობას კი ქმნის *გული*. იგი ყოველი *სისტოლისას* (შეკუმშვისას) სისხლს ჩატუმბავს აორტაში (ფილტვის არტერიაში) ანუ ს. მ-ის სისტემის დასაწყისში. იმის გამო, რომ სისხლი პარკუჭების შეკუმშვისას მთლიანად ვერ მიდის პერიფერიამდე, არტერიები (განსაკუთრებით მათი დასაწყისი ნაწილი) კედლების ელასტიკურობის გამო იჭიმება და იტევს სისხლის განსაზღვრულ რაოდენობას, რ-იც იქ იმყოფება მაღალი წნევის ქვეშ. ამიტომ სისხლი მოძრაობს არა მხოლოდ გულის შეკუმშვისას, არამედ მოდუნების დროსაც. ე. ი. სისტოლის დროს აკუმულირებული ენერგია სისხლის წნევას არტერიებში იმდენად მაღალ დონეს უნარჩუნებს, რომ უზრუნველყოფს სისხლის განუწყვეტელ მოძრაობას.

სისხლის წნევა არტერიებში განპირობებულია გულიდან გადასროლილი სისხლის რაოდენობისა და პერიფერიული სისხლძარღვების წინაღობის შეფარდებით. ეს უკანასკნელი თავის მხრივ დამოკიდებულია არტერიოლების ტონუსზე, მისი მატება აბრკოლებს სისხლის გადასვლას არტერიებიდან კაპილარებისა და ვენებისაკენ და ამის გამო წნევა არტერიებში მატულობს. არტერიოლების ტონუსის დაქვეითება იწვევს პირუკუ ეფექტს. სხეულის რომელიმე ნაწილში არტერიოლების ტონუსის დაქვეითებისას ადგილ. ს. მ. ისე ძლიერდება, რომ სისხლის საერთო არტერიული წნევა არ ეცემა. აქედან გამომდინარეობს, რომ არტერიოლები გარკვეულად მოქმედებენ ქსოვილების სისხლით მომარაგებაზე, რაც კაპილარების საშუალებით ხდება. ამიტომ იყო, რომ ი. სეჩენოვმა არტერიოლებს „სისხლძარღვთა სისტემის ონკანები" უწოდა.

კაპილარების კედლის გზით ხორციელდება ნივთიერებათა ცვლა სისხლსა და ქსოვილებს შორის. ეს პროცესი შემდეგნაირად წარმოებს: კაპილარის არტერიულ ბოლოზე სისხლის შედარებით მაღალი ჰიდროსტ. წნევის (35 *მმ ვწყ. სვ.*) გამო სითხე იფილტრება კაპილარის კედლის გზით უჯრედთა შუა სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის ონკოზური წნევა (25 *მმ ვწყ. სვ.*) ამ ფილტრაციას აბრკოლებს, სხვაობა (10 *მმ ვწყ. სვ.*) — საფილტრაციო წნევა—მაინც საკმარისია იმისათვის, რომ სითხე და მასში გახსნილი ჟანგბადი და საყუათო ნივთიერებები საკმარისად გადავიდეს უჯრედთა შუა სივრცეში. ამას ემატება ისიც, რომ ამ სითხეში უჯრედებიდან გადმოსული ნივთიერებათა ცვლის დაბალმოლეკულური ნაერთები ზრდიან იქ ოსმოსურ წნევას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სითხის მიზიდვას სისხლიდან. ამის გარდა, უჯრედთა შუა სივრცეში სითხის წნევა უარყოფითია, ე. ი. ატმოსფერულზე ნაკლები, დაახლ. მინუს 5—10 *მმ ვწყ. სვ*-ის ტოლი. ეს არის თავისებური ტუმბო, რ-იც ქმნის უარყოფითი წნევის მუდმივობას ქსოვილთა სითხეში და ხელს უწყობს კაპილარებიდან სითხის გამოსვლას. კაპილარში სისხლის მოძრაობისას მისი ვენური ბოლოსაკენ სისხლს უხდება წინაღობის დაძლევა, რაზედაც ჰიდროსტ. ენერგიის საკმაოდ დიდი ნაწილი იხარჯება ისე, რომ კაპილარის ვენურ ბოლოზე მისი წნევა ორჯერ მცირდება (16—17 *მმ ვწყ. სვ.*), ხოლო სისხლის ონკოზური წნევა იმის გამო, რომ კაპილარის არტერიულ ბოლოზე სისხლი (ქსოვილებში წყლის გადასვლის გამო) შესქელდა, ოდნავ მატულობს კიდეც (27 *მმ ვწყ. სვ.*). ამიტომ ახლა წნევის სხვაობა მიმართულია პირიქით — ქსოვილებიდან სისხლისაკენ, ე. ი. კაპილარის ვენურ ბოლოზე ხდება არა სითხის გაფილტვრა, არამედ, პირიქით, სითხის შესვლა სისხლში.

კაპილარებიდან სისხლი ვენულებითა და ვენებით გამოდის და გულთან მიდის. სისხლის მოძრაობას ვენებში ხელს უწყობს ჩონჩხის კუნთების შეკუმშვა, რის გამოც ვენების სარქველები იხსნება გულისკენ და სისხლს მხოლოდ გულისკენ შეუძლია წასვლა. ამის გარდა ვენებში სისხლის მოძრაობას ხელს უწყობს გულმკერდის უარყოფითი წნევა. ყოველი შესუნთქვის დროს გულმკერდში უარყოფითი წნევა იზრდება და იქმნება მიმწოვი ძალა გულისაკენ.

ს. მ-ის რეგულაცია ხორციელდება რეფლექსური და ჰუმორული მექანიზმებით. რეგულირება ემყარება არტერიოლების ტონუსისა და გულის წუთმოცულობის ცვლილებებს, თვით სისხლძარღვთა (არტერიოლების) ტონუსი რეგულირდება მოგრძო ტვინში მოთავსებული ვაზომოტორული (სისხლძარღვთა მამოძრავებელი) — შემაიწროებელი და გამაფართოებელი და გულის მოქმედების მარეგულირებელი ცენტრებით. ამ ცენტრებიდან იგზავნება იმპულსები, რ-ებიც საჭიროების მიხედვით ზრდიან ან ამცირებენ არტერიოლების ტონუსს და გულის მოქმედებას. სისხლის საჭირო წნევა გაპირობებულია სისხლძარღვთა შემავიწროებელი ცენტრებიდან სიმპათიკური ნერვებით მიტანილი ნერვული იმპულსებით, რ-თა მოქმედებით ხორციელდება სისხლძარღვების კუნთების გარკვეული მასშტაბის ტონური შეკუმშვა. იმპულსების სიხშირის მატებისას წნევა იზრდება და, პირიქით,— გაიშვიათებისას ეცემა. თვით ვაზომოტორული და გულის ცენტრების მოქმედება რეგულირდება იმპულსებით, რ-ებიც აღმოცენდებიან სისხლძარღვთა რეფლექსოგენურ ზონებში — აორტასა და საძილე სინუსის პრესორეცეპტორებში. ამ ზონებში წნევის გაზრდა იწვევს აღნიშნულ რეცეპტორებში გენერირებული იმპულსების გახშირებას, რასაც თან ახლავს სისხლძარღვთა გამაფართოებელი ცენტრების აგზნება და შემავიწროებელი ცენტრების შეკავება, არტერიოლების გლუვი კუნთების მოდუნება და არტერიოლების გაფართოება. ერთდროულად ხდება გულის ცემის შენელება და სისხლის წუთმოცულობის შემცირება. ორივე ამ მოვლენის შედეგად წნევა ქვეითდება და ნორმალიზდება. ამ ზონებში წნევის დაცემა იწვევს სრულიად საწინააღმდეგო ეფექტს. ამგვარად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს მექანიზმთან, რ-იც უკუკავშირის პრინციპზე მუშაობს და სისხლის წნევას მუდმივ დონეს უნარჩუნებს. ანალოგიური პროცესები არსებობს ს. მ-ის მცირე წრეში (შესაფერისი რეაქციებით). მაგრამ სისხლძარღვოვანი სისტემა შეიცავს ქემორეცეპტორებსაც, რ-ებიც თავს იყრიან სპეც. სხეულაკებში, განსაკუთრებით — აორტისა და საძილე სინუსის სხეულაკებში. ეს რეცეპტორები ღიზიანდებიან სისხლში შემავალი გამაღიზიანებელი აგენტებით (ნახშირორჟანგის და ჟანგბადის ნაკლებობა, სხვა ქიმ. და ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებანი). გარდა ამისა, ვაზომოტორული ცენტრების მდგომარეობა რეგულირდება ცენტრ. ნერვული სისტემის სხვა განყ-ებიდან მოსული იმპულსებით, რაც განაპირობებს ს-ის მ-ის ადეკვატურ ცვლილებებს ყოველი ორგანოს, ორგანოთა სისტემისა და ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის შეცვლისას.

სისხლისა და ქსოვილთა სითხის საერთო რაოდენობაც რეფლექსურად რეგულირდება წინაგულების რეცეპტორების გაღიზიანებით. მარჯვ. წინაგულში სისხლის დიდი რაოდენობით მოსვლა წელავს გულის კედლებს, აღიზიანებს აქ მოთავსებულ რეცეპტორებს, რის შედეგადაც თირკმელზედა ჯირკვალში ჰორმონ *ალდოსტერონის* გამომუშავება მცირდება, ამას კი მოსდევს ორგანიზმიდან Na და Cl-იონების და მათთან ერთად წყლის გაძლიერებული გამოყოფა, რაც განაპირობებს მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებას. მარცხ. წინაგულის გაწელვა სისხლით და იქ მოთავსებული რეცეპტორების გაღიზიანება იწვევს ჰიპოფიზის ჰორმონის — ვაზოპრესინის გამოყოფის შეფერხებას და ამ ჰორმონის თირკმელზე მოქმედების შემცირების შედეგად წყლის დიდი რაოდენობით გამოყოფას. ამ ცენტრ. მექანიზმების გარდა ს. მ. რეგულირდება პერიფერიული მექანიზმებით.

ნერვული ცენტრები არეგულირებენ არა მხოლოდ საერთო ს. მ-ს, არამედ ლოკალურსაც, ე. ი. მიმოქცევას ცალკეულ ორგანოთა სისტემასა და ქსოვილებში. ეს ცენტრები შერჩევითად ჩართავენ ამა თუ იმ ნეირონებს, რ-ებიც არეგულირებენ გარკვეულ სისხლძარღვოვან ფარგლებს რომელიმე ორგანოთა სისტემაში. ამის გამო შესაძლებელია ერთ ორგანოში სისხლძარღვთა ტონუსმა მოიმატოს და მეორეში დაიკლოს და ამით გამოიწვიოს პირველში სისხლის ნაკადის შესუსტება, მეორეში კი — გაძლიერება.

სისხლძარღვთა გაფართოება და ორგანოთა სისხლით გაძლიერებული მომარაგება წარმოებს ამ ორგანოთა ინტენს. მოქმედების დროს. მაგ., ნერწყვის სეკრეციის დროს სანერწყვე ჯირკვლის ძარღვები ფართოვდება და ჯირკვლის სისხლით მომარაგება იზრდება. იგივე ითქმის ჩონჩხის კუნთების გაძლიერებულ მოქმედებაზე ფიზ. მუშაობის დროს. არსებობს მოსაზრება, რომ მუშაობითი აქტივობისას სისხლძარღვთა ადგილ. გაფართოება განპირობებულია ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებით, რ-ებიც მუშაობის დროს წარმოიშობიან ამ ორგანოებში ან სხვა ორგანოებში, ე. ი. აქ მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებების მოქმედებას. ასეთებია ჰორმონები: ადრენალინი, ვაზოპრესინი, ჰიპერტაენზინი, სეროტონინი, ბრადიკინინი, პროსტაგლანდინები და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე სისხლის ცვლილებები ემოციებისა და ფსიქ. განცდების დროს შესატყვისი ცენტრ. სტრუქტურების აგზნების შედეგად.

ლიტ.: Нормальная физиология, под ред. А. В. Коробкова, М., 1980; Сравнительная физиология животных, т. 3, под ред. Л. Проссера, пер. с англ., М., 1978; Физиология кровообращения. Физиология сердца, Л., 1980 (Руководство по физиологии); Физиология человека, под ред. Е. Б. Бабского, 2 изд., М., 1972.

ა. ბაკურაძე.

ს. მ-ის დარღვევა. ს. მ-ის დარღვევა შეიძლება იყოს ადგილ. და საერთო. ადგილობრივი ვლინდება არტერიული და ვენური ჰიპერემიითა და *იშემიით* და განპირობებულია ს. მ-ის ნერვული რეგულაციის მოშლით, *თრომბოზით, ემბოლიით, ათეროსკლეროზით*, აგრეთვე სისხლძარღვებზე მავნე გარე ფაქტორების ზემოქმედებით. ს. მ-ის ადგილ. დარღვევები საფუძვლად უდევს გულის კუნთის *ინფარქტს, ინსულტს*, მაობლიტირებელ ენდარტერიიტს (იხ. *ენდარტერიიტი* მაობლიტირებელი) და სხვ. საერთო დარღვევები ვლინდება ს. მ-ის უკმარისობით — მდგომარეობით, რ-ის დროსაც ს. მ-ის სისტემა ვერ აწვდის ორგანოებსა და ქსოვილებს სისხლის საჭირო რაოდენობას. განარჩევენ ს. მ-ის გულის (ცენტრ.) უკმარისობას, თუ მისი მიზეზია გულის ფუნქციის დარღვევა; სისხლძარღვოვანს (პერიფერიულს), თუ მისი გამომწვევი მიზეზი დაკავშირებულია სისხლძარღვოვანი ტონუსის პირველად დარღვევებთან; გულ-სისხლძარღვთა საერთო უკმარისობას. ს. მ-ის გულის უკმარისობის დროს აღინიშნება ვენური შეგუბება, რადგან გულიდან არტერიებში გადადის სისხლის ნაკლები რაოდენობა, ვიდრე გულში ვენებით ჩაედინება. ს. მ-ის სისხლძარღვოვან უკმარისობას ახასიათებს არტერიული და ვენური სისხლის წნევის დაქვეითება; მცირდება გულისაკენ ვენური სისხლის მიწოდება. სისხლძარღვოვანი უკმარისობის მიზეზი შეიძლება იყოს დაავადება, რ-იც გულის უკმარისობას იწვევს (გულის კუნთის ინფარქტი, მიოკარდიტი, ჰიპერტონული დაავადება და სხვ.). სისხლძარღვოვანი ტონუსის დაქვეითების გამომწვევი ფაქტორებია ინფექცია, ინტოქსიკაცია, სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვა (იხ. *კოლაფსი*), ს. მ-ის ცენტრ. რეგულაციის მოშლა და სხვ. ს. მ-ის ყველაზე დამახასიათებელი გამოვლინებაა სისხლის წუთმოცულობის, სისხლის დინების, ვენური წნევის ცვლილებები, ჭოშინი, კარდიალური ასთმის შეტევები, შეშუპება, *ჰიპოქსია*, ქსოვილების ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ.

სისხლის მიმოქცევის სისტემა, სისხლგამტარი სისტემა, საცირკულაციო სისტემა, ცხოველური ორგანიზმების (ცხოველებისა და ადამიანის) სხეულის იმ ნაწილების ერთობლიობა, რ-ებითაც ხორციელდება *სისხლის მიმოქცევა*. ცხოველთა ევოლ. ადრეულ საფეხურებზე ს. მ. ს-ის ფუნქციას ასრულებდა ე. წ. გასტროვასკულარული სისტემა მომნელებელი სისტემის ფუნქციასთან ერთად (ნაწლავღრუიანები); შემდეგ ცირკულაცია ხორციელდებოდა სხეულის პირველადი ღრუს ამომსვებ ქსოვილში (პარენქიმაში) არსებული ნაპრალებისა და ღრუების (ლაკუნებისა და სინუსების) მეშვეობით, რ-ებშიც მოძრაობს ქსოვილური სითხე (ბრტყელი ჭიები). ამ ნაპრალებმა თანდათანობით შეიძინეს საკუთარი კედელი (ენდოთელიუმი) და იქცნენ სისხლგამტარ მილებად (*სისხლძარღვებად*), რ-ებიც უკვე ნამდვილ ს. მ. ს-ს შეადგენდნენ (ასეთი ს. მ. ს. პირვე-



სისხლისმწოველებრნი, დიდი სისხლისმწოველი.

ლად გაუჩნდათ *ნემერტინებს*). ცხოველთა ნაწილს (ჭიების უმრავლესობა, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, კანელკლიანები, უმდაბლესი ქორდიანები და სხვ.) სისხლძარღვები ეხსნება უშუალოდ ქსოვილებსა და ორგანოთა შორის შუალედებში, რის გამოც ს. მ. ს-ში *სისხლისა* და ქსოვილური სითხის ნარევი (*ჰემოლიმფა*) ცირკულირებს (ღია ს. მ. ს.); მეორე ნაწილს (რგოლოვანი ჭიები, ხერხემლიანები და სხვ.) სისხლძარღვები ერთმანეთთან დაკავშირებული აქვთ *კაპილარების* წნულებით, რის გამოც სისხლი იზოლირებულია ქსოვილური სითხისაგან, აღარსად ერევა მას და მისი კავშირი ქსოვილებთან და ორგანოებთან კაპილარის კედელში ნივთიერებათა შერჩევითი გაღწევით (დიფუზიით) ხორციელდება (დახშული ს. მ. ს.). თავდაპირველად ს. მ. ს-ში ჰემოლიმფისა თუ სისხლის ცირკულაცია ხორციელდებოდა პასიურად — სხეულის მოძრაობისას მისი ცალკეული ნაწილების შეკუმშვა-მოდუნებით. შემდეგ იგი გააქტიურდა, თვით სისხლძარღვთა კედელში გაჩნდა კუნთოვანი შრეები და მათმა ცალკეულმა უბნებმა შეიძინა პულსაციის უნარი, თანაც, სისხლძარღვებში განვითარდა სპეც. სარქველები, რაც უზრუნველყოფდა სისხლისა თუ ჰემოლიმფის მხოლოდ ერთი მიმართულებით დენას; შემდეგ სისხლის მამოძრავებელი ფუნქცია დაეკისრა მხოლოდ ერთ-ერთ მთავარ სისხლძარღვს, ბოლოს კი მის მხოლოდ ერთ უბანს, რ-იც პროგრესულად განვითარდა და ჩამოყალიბდა გული. გულის წარმოქმნას თან დაერთო ს. მ. ს-ის დიფერენცირება არტერიულ სისტემად, რ-საც შეადგენენ არტერიები და ვენურ სისტემად, რ-საც ვენები ქმნიან. სისხლძარღვების ერთობლიობას, რ-ითაც სისხლი გულიდან გადის და იქვე ბრუნდება, *სისხლის მიმოქცევის წრეები* ეწოდება; ფილტვებით მსუნთქავ ცხოველებს აქვთ 2 წრე— დიდი (მთელი სხეულისათვის) და მცირე (ფილტვებისათვის), დანარჩენებს კი — ერთი (მხოლოდ დიდი); დიდი წრით გულში ვენური სისხლი მოდის, მცირე წრით — არტერიული; ამიტომაც, თუ გული სრულიი ძგიდით არაა გაყოფილი არტერიულ და ვენურ ნახევრებად (მაგ., ამფიბიები, ქვეწარმავლები), მასში სისხლი შერეულია; არტერიული და ვენური სისხლის სრული განცალკევება და, შესაბამისად, სისხლის მიმოქცევის წრეების სრული გამიჯვნა ერთმანეთისაგან ხდება გულის სრული გაყოფისას მარჯვ. (ვენურ) და მარცხ. (არტერიულ) ნახევრებად (ფრინველები, ძუძუმწოვრები, ადამიანი). ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ს. მ. ს-ის, სახელდობრ, ვენური სისტემის ნაწილი გამოკერძოებულია სპეც. დანიშნულების ლიმფურ სისტემად. *ლ. ნათაძე.*

სისხლის მიმოქცევის წრეები, ადამიანისა და ცხოველების სისხლის მიმოქცევის სისტემის ნაწილი, ე. ი. იმ სისხლძარღვების ერთობლიობა, რ-ებიც შეადგენენ სისხლის გზას გულის ერთი ნაწილიდან მეორემდე და გაივლიან მთელ სხეულს ან მის რომელიმე ნაწილს.

ცხოველთა უმრავლესობას ერთადერთი დიდი ს. მ. წ. აქვს: სისხლი გამოდის გულის ერთი ბოლოდან აორტით, არტერიებით ნაწილდება სხეულში და ვენებით უბრუნდება გულს (ადამიანისა და ხმელეთის ხერხემლიანების ს. მ. წ. იწყება მარცხ. პარკუჭიდან და ბოლოვდება მარჯვ. წინაგულში). ფილტვებით მსუნთქავ ხერხემლიან ცხოველებსა და ადამიანს (აგრეთვე ორგვარადმსუნთქავ თევზებს, რ-ებიც დროდადრო საცურავ ბუშტს ფილტვებად იყენებენ) აქვთ აგრეთვე მეორე — მცირე ს. მ. წ. მას შეადგენს გულის მარჯვ. პარკუჭიდან (ამფიბიებში — ერთიანი პარკუჭის მარჯვ. ნახევრიდან) გამომავალი ფილტვის არტერია, რ-საც ფილტვებში ნახშირორჟანგით მდიდარი (ვენური) სისხლი მიაქვს, და ფილტვის ვენა, რ-საც ჟანგბადით გამდიდრებული (არტერიული) სისხლი მიაქვს მარცხ. წინაგულში. ერთმანეთისაგან სრულად გამიჯნული დიდი და მცირე ს. მ. წ. აქვთ მხოლოდ ფრინველებს, ძუძუმწოვრებსა და ადამიანს. *ლ. ნათაძე.*

სისხლისმფოვისებრნი (Desmodontidae), ღამურების ოჯახი. მათი სხეულის სიგრძე 7 *სმ* აღწევს. იკვებებიან ძუძუმწოვრებისა და ფრინველების სისხლით; იშვიათად თავს ესხმიან ადამიანსაც (კბენენ მძინარეს). ისინი უხმაუროდ აჯდებიან მსხვერპლს, ჭრიან კანს 4 *მმ* სიღრმემდე და ლოკავენ გამოჟონილ სისხლს (20—40 *მლ*-ს). გავრცელებული არიან სამხრ. და ცენტრ. ამერიკაში. ოჯახი მოიცავს 3 გვარს (Desmodus, Diaenus, Diphylla), თითოეული გვარი—თითო სახეობას. ყველაზე მეტად ცნობილია დიდი სისხლმწოვი (Desmodus rotundus). ს. ადამიანისა და შინაურ ცხოველთა საშიში დაავადებების გამომწვევების მტარებლები არიან.

სისხლის პლაზმა, სისხლის თხიერი ნაწილი, რ-შიც შეწონილ მდგომარეობაში იმყოფება სისხლის ფორმიანი ელემენტები. მის შედგენილობაში შედის ცილები, ნახშირწყლები, ლიპიდები, ელექტროლიტები, ჰორმონები, ვიტამინები, გახსნილი აირები და ნივთიერებათა ცვლის შუალედი პროდუქტები. ს. პ-ის ცილები, რ-თა რაოდენობა 7—8% შეადგენს, მონაწილეობენ წყლის ცვლაში, ჰორმონების, ვიტამინების, ცხიმების ტრანსპორტში, სისხლის შედედების პროცესში. ელექტროლიტები იცავენ ოსმოსური წნევის მუდმივობას, სისხლის აქტ. რეაქციას, გავლენას ახდენენ კოლოიდების მდგომარეობასა და ნივთიერებათა ცვლაზე. ს. პ. შეიცავს მთელ რიგ ფერმენტებს, რ-ებიც მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლისა და სისხლის შედედების პროცესში.

ა. აბესაძე.

სისხლის პრეპარატები, სისხლისაგან დამზადებული სამკურნალო საშუალებები. კომპლექსური მოქმედების პრეპარატები — პლაზმა, ალბუმინი, პროტეინი და სხვ. იხმარება მწვავე სისხლდენისა და შოკის (ტრავმული, დამწვრობითი, ოპერაციული) შედეგად დარღვეული ჰემოდინამიკის აღსადგენად, სხვადასხვა წარმოშობის ჰიპო- და დისპროტეინემიის დროს სისხლის ცილოვანი შედგენილობის ნორმალიზაციისათვის, აგრეთვე ღვიძლისა და თირკმლების დაავადებების სამკურნალოდ; პლაზმას დამატებით აქვს სისხლდენის შეჩერების უნარი; ჰემოსტატიკური პრეპარატებია ანტიჰემოფილიური პლაზმა, კრიოპრეციპიტატი, ფიბრინოგენი, მშრალი თრომბინი, ჰემოსტატიკური ღრუბელი და სხვ. ანტიჰემოფილიურ პლაზმას და კრიოპრეციპიტატს უსხამენ ჰემოფილიით დაავადებულებს, ფიბრინოგენი შეჰყავთ ჰიპო- და აფიბრინოგენემიური სისხლდენის (მშობიარობის, ქირურგ. ოპერაციების) დროს; მშრალ თრომბინსა და ჰემოსტატიკურ ღრუბელს იყენებენ ადგილობრივად — ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად; სისხლის შედედების საწინააღმდეგო პრეპარატს — ფიბრინოლიზინს იყენებენ თრომბოფლებიტის, თრომბოემბოლიისა და გულის კუნთის ინფარქტის დროს; იმუნოლოგიურ პრეპარატებს (არასპეციფ. გამა-გლობულინს, ანტისტაფილოკოკურ გამა-გლობულინს, ყვავილის, ყივანახველის, გრიპის, ტეტანუსისა და სხვ. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო გამა-გლობულინებს, ანტისტაფილოკოკურ პლაზმას, დამწვრობაგადატანილ დონორთა პლაზმას) იყენებენ მთელი რიგი ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის. ანტიანემიური და მასტიმულირებული პრეპარატი — ჰემოსტიმულინი იწვევს სისხლის წარმოქმნის გაძლიერებას, ხოლო გასტერილებული შრატი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და არეგულირებს ნერვული სისტემის ფუნქციას; პლასტიკური პრეპარატები (ფიბრინის აფსკები და სხვ.) იხმარება ტვინის მაგარი გარსის დეფექტის დასახურავად, კანის დამწვრობის დროს, ნაწოლების გაჩენისას და ა. შ.

ლიტ.: Руководство по общей и клинической трансфузиологии, под ред. Б. В. Петровского, М., 1979. *თ. ტყეშელაშვილი.*

სისხლის სამართალი, სამართლის ერთ-ერთი დარგი. წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართ. ნორმების სისტემას, სადაც განსაზღვრულია, თუ რომელი ქმედობა ითვლება დანაშაულად, რა სასჯელი შეესაბამება მას და როგორია სასჯელის გამოყენების, აგრეთვე პასუხისმგებლობისა თუ სასჯელისაგან განთავისუფლების პირობები და ფარგლები. ექსპლუატატორული სზ. წესწყობილების პირობებში ს. ს-ის შინაარსი განისაზღვრება გაბატონებული კლასის ინტერესებით და მიზნად ისახავს დაიცვას შესაბამისი სზ. ურთიერთობის სისტემა მისი ხელყოფისაგან. ოქტ. რევ. შემდეგ შეიქმნა პრინციპულად ახ. ტიპის — საბჭოური ს. ს., რ-მაც ამოცანად დაისახა ექსპლუატატორული კლასების დათრგუნვა, პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ინტერესების დაცვა. სოციალ. საერთო-სახ. სახელმწიფოს პირობებში საბჭ. ს. ს-ის ძირითადი ამოცანაა განვითარებული სოციალ. სზ. ურთიერთობის დაცვა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან.

ს. ს-ის ერთადერთი წყარო ჩვენს ქვეყანაში არის ს. ს-ის კანონი. უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებებს ცალკეული კატეგორიის საქმეებზე მხოლოდ მაშინ აქვთ სავალდებულო ძალა, თუ ისინი არათუ არ ეწინააღმდეგებიან კანონს, არამედ აზუსტებენ და აკონკრეტებენ მის შინაარსს. ეს არის კანონიერების ერთ-ერთი საიმედო გარანტია.

საბჭ. ს. ს-ს საფუძვლად უდევს დარგობრივი პრინციპები, რ-თაგან უმნიშვნელოვანესია დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერების პრინციპი, ბრალის პრინციპი, პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და სხვ. ამასთანავე, საბჭ. ს. ს-ის მიმართ ძალას ინარჩუნებს ისეთი საერთო-სამართ. პრინციპები, როგორიცაა სოციალ. კანონიერება, სოციალ. დემოკრატიზმი, საბჭ. პატრიოტიზმი, სოციალ. ჰუმანიზმი, პროლეტ. ინტერნაციონალიზმი. საბჭ. ს. ს. შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. ზოგადი ნაწილი შეიცავს საერთო ხასიათის პრინციპულ დებულებებს, რ-თაც მნიშვნელობა აქვთ მრავალი სისხლისსამართ. საკითხის გადასაწყვეტად: განსაზღვრულია ს. ს-ის კანონმდებლობის ამოცანები, მისი მოქმედება დროსა და სივრცეში; ჩამოყალიბებულია დანაშაულის, განზრახვის, გაუფრთხილებლობის, მომზადების, მცდელობისა და თანამონაწილეობის ცნებები და სხვ. ზოგადი ნაწილის დებულებანი შეეხება აგრეთვე სასჯელის მიზნებს და სახეებს, სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისაგან გათავისუფლების წესებს და ა. შ.

განსაკუთრებულ ნაწილში გარკვეული თანამიმდევრობით არის აღწერილი დანაშაულთა ცალკეული ტიპები (მაგ., მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, ხულიგნობა) და განსაზღვრულია შესაბამისი სისხლისსამართ. ღონისძიებანი.

უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტებს, რ-ებიც საბჭ. ს. ს-ის საკითხებს აწესრიგებს, განეკუთვნება სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების ს. ს-ის კანონმდებლობის საფუძვლები, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ს. ს-ის კოდექსები (იხ. *სისხლის სამართლის კოდექსი*).

ქართული ტერმ. „ს. ს." ეტიმოლოგიურად სასჯელის სამართალს ნიშნავს. იგი „სისხლიდან" წარმოდგება, რაც ძვ. ქართ. იურიდ. სიტყვათხმარებაში დანაშაულისათვის დაკისრებული ფულადი ან ქონებრივი საზღაურის ზომას გამოხატავდა (იხ. *„სისხლი"*).

ტერმ. „ს. ს." აღნიშნავს იურიდ. მეცნ. დარგსაც, რ-იც ს. ს-ის პრინციპებსა და ინ-ტებს შეისწავლის.

ლიტ.: Андреев И., Очерк по уголовному праву социалистических государств, М., 1978; Курс советского уголовного права (часть общая), т. 1, Л., 1968.

მ. უგრეხელიძე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, იურიდიული *პასუხისმგებლობის* ნაირსახეობა. ს. პ. გულისხმობს დამნაშავის მოვალეობას დაექვემდებაროს ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ იძულებით ღონისძიებათა ზემოქმედებას. ს. პ-თვის აუცილებელია, რომ პირს ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) ჰქონდეს ჩადენილი სისხლის სამართ. კანონით გათვალისწინებული საზ. საშიში ქმედობა (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 3). ს. პ. დანაშაულის ჩადენისთანავე წარმოიშობა. იგი პროცესუალურად ფორმდება გამომძიებლის დადგენილებით (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 140). ჩვეულებრივ, ს. პ. სასჯელის მოხდით მთავრდება. იგი შეიძლება უფრო ადრეც შეწყდეს (წინასწარი გამოძიების, საქმის სასამართლო განხილვის, სასჯელის აღსრულების სტადიაზე), თუ რაიმე საფუძვლით სახელმწიფო უარს იტყვის მის სრულ ან ნაწილობრივ რეალიზაციაზე (იხ. *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, პირობით — ვადამდე გათავისუფლება* სასჯელისაგან). *მ. უგრეხელიძე.*

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, კანონით ნებადართული უარის თქმა სისხლის სამართლის წესით გასამართლებასა და სასჯელის გამოყენებაზე. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს ს. პ. გ-ის სხვადასხვა სახეს: 1. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დამნაშავე, რ-იც 16 წლის არ არის და ამავე დროს არ წარმოადგენს დიდ საზ. საშიშროებას, შეიძლება გამოსწორდეს სისხლის სამართ. სასჯელის გამოუყენებლად, გაათავისუფლებს მას სისხლისსამართ. პასუხისმგებლობისაგან და გადასცემს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას აღმზრდელობითი იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 12); 2. კანონი აწესებს სპეც. ვადებს, რ-თა გასვლის შემდეგ დამნაშავე არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართ. პასუხისგებაში (მ. 49; იხ. *ხანდაზმულობა*); 3. ისეთი ქმედობის ჩამდენი, რ-იც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართ. პასუხისმგებლობისაგან, თუკი მიჩნეული იქნება, რომ გამოძიების ან საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის ვითარების შეცვლის შედეგად მისმა ქმედობამ დაკარგა საზ. საშიშროება ან იგი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში (მ. 51); 4. პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართ. პასუხისმგებლობისაგან და მიეცეს ადმ. პასუხისგებაში, თუკი მიჩნეული იქნება, რომ მისი გამოსწორება და ხელახალი აღზრდა შესაძლებელია სისხლისსამართ. სასჯელის გამოუყენებლად და ამავე დროს მის მიერ ჩადენილი ქმედობისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მუბუქ სასჯელს (მ. 51[1]); 5. თუ ჩადენილი ქმედობისათვის კანონით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი და ასეთი ქმედობის ჩამდენის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შესაძლებელია სისხლისსამართ. სასჯელის გამოუყენებლად, იგი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართ. პასუხისმგებლობისაგან და საქმე გადაეცეს *ამხანაგური სასამართლოს* განსახილველად (მ. 52); 6. ისეთი ქმედობის ჩამდენი, რ-იც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართ. პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავდების ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად ორგანიზაციას ან შრომით კოლექტივს მათივე შუამდგომლობით, თუ ჩადენილი ქმედობისათვის კანონი აწესებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან უფრო მსუბუქ სასჯელს და საქმის გარემოებათა მიხედვით ქმედობა და მისი ჩამდენი არ წარმოადგენენ დიდ საზ. საშიშროებას (მ. 53).

ო. გამყრელიძე.

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დარგი, რ-იც განსაზღვრავს მოცემული სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად გეზს სამართლებრივი საშუალებებით დანაშაულობასთან საბრძოლველად და მის თავიდან ასაცილებლად. ს. პ-ის ცნება (Kriminalpolitik) მეცნიერებაში პირველად ა. ფოიერბახმა შემოიტანა 1840. შემდგომ იგი ვითარდება სისხლის სამართ. ბურჟ. მეცნიერებაში (ფ. ლისტი, მ. ჩუბინსკი, ს. გოგელი, რ. პიპელი, ვ. ზაუერი, ვან ბამელენი, დონედიე დე ვაბრი და სხვ.), რ-ის წარმომადგენელთა უმრავლესობას ს. პ-ის ცნება სისხლის სამართ. საკანონმდებლო პოლიტიკამდე დაჰყავს, სამართ. გამოყენების სფერო კი ამ ცნების მიღმაა დატოვებული. ეს არის ცდა, შეიქმნას ილუზია, რომ ბურჟ. იუსტიცია თავისუფალია პოლიტ. ზეგავლენისაგან.

საბჭ. ს. პ-ის საბოლოო მიზანია სამართალდარღვევათა თანდათანობითი შემცირების კვალობაზე დანაშაულობის სრული აღმოფხვრა. ამ მიზნის განხორციელება უმთავრესად ხდება სისხლის სამართ., სისხლის საპროცესო სამართ. და შრომა-გასწორებითი სამართ. კანონმდებლობის შემუშავებისა და მისი გამოყენების მეშვეობით. მრავალი სახელმწ. დაწესებულება თუ საზ. ორგანიზაცია, აგრეთვე შრომითი კოლექტივი და მოქალაქე მონაწილეობს ამ პროცესში. ს. პ-ის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში ემყარება დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტ. გამოცდილებას და მეცნ. დასაბუთებულ პრინციპებს, რ-თაგან მთავარია შემდეგი: დანაშაულის თავიდან აცილება (პროფილაქტიკა), დანაშაულობასთან გეგმაზომიერად და კომპლექსურად ბრძოლა, მასში საზოგადოებრიობის აქტ. მონაწილეობა; მაქს. დარწმუნების შეხამება მინ. იძულებასთან, რეპრესიაზე *პრევენციის* პრიმატი, საშიშ დამნაშავეთა მიმართ მკაცრი ღონისძიებებისა და ნაკლებად საშიშ დამნაშავეთა მიმართ შეღავათიანი ზომების გამოყენება და სხვ.

უცხოეთის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, ჩვენში ს. პ. ოფიციალურად არ არის აღიარებული როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი. ს. პ-ის პრობლემები შეისწავლება სისხლის სამართ., სისხლის სამართ. პროცესის, შრომა-გასწორებითი სამართ. და კრიმინოლოგიის მეცნიერებათა ჩარჩოებში.

თანამედროვე იურიდ. ლიტ-რაში ჩაისახა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: 1. შეზღუდვითი გაგება ს. პ. ცნებისა, რ-იც დანაშაულობასთან ბრძოლის მხოლოდ სისხლისსამართ. საშუალებებს მოიცავს; ამის შესაბამისად, ს. პ., სისხლის სამართ. საპროცესო პოლიტიკა და შრომა-გასწორებითი პოლიტიკა დამოუკიდებელი დარგებია, რ-ებიც მათს ერთობლიობაში ქმნიან სამართ. პოლიტიკის კომპლექსურ დარგს — კრიმინალურ პოლიტიკას. 2. განვრცობითი გაგება ს. პ-ის ცნებისა, რ-იც გარდა სამართ. საშუალებებისა, დანაშაულობასთან ბრძოლის არასამართ. ღონისძიებებსაც გულისხმობს (მაგ., ეკონ., კულტ.-აღმზრდელობითი, იდეოლოგიური და სხვ.).

ლიტ.: Герцензон А. А., Уголовное право и социология, М., 1970; Дагель П. С., Проблемы советской уголовной политики, Владивосток, 1982; Загородников Н. И., Советская уголовная политика, М., 1979; Quaderni. Numero speciale dedicato al Simposio Internationale su Politica Criminale e Diritto Penale, Siracusa, 1978. *მ. უგრეხელიძე.*

სისხლისსამართლებრივი სამძებრო, მილიციის ორგანოთა სისტემაში შემავალი სპეციალური განყოფილება, რ-ის მთავარი ამოცანაა დანაშაულობის თავიდან აცილების, დანაშაულის მოკვლევისა და დამალული დამნაშავის ძებნის ღონისძიებათა განხორციელება.

სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა სჯულდება 1845 და 1885, რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის კოდიფიკაცია. იცავდა გაბატონებული კლასის პრივილეგიებს, მემამულურ და კაპიტალ. საკუთრებას. სჯულდების მრავალი ნორმა აშკარა კლასობრივი ხასიათისა იყო. მაგ., „გლეხების ან შინაყმების ყოველგვარი აღშფოთება" თავიანთი მემამულეების წინააღმდეგ განიხილებოდა როგორც ავჯანყება არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთივე იყო სჯულდებით გათვალისწინებული დასჯითი სისტემაც. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა სისხლისსამართ. სასჯელები (სიკვდილით დასჯა, გადასახლება კატორღაში თუ მუდმივ საცხოვრებლად. ამ სასჯელებს თან ახლდა წოდებრივ უფლებათა აყრა) და გამასწორებელი სასჯელები (საპყრობილეში ჩასმა და სხვ.). ცალკე იყო გათვალისწინებული სასჯელები პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთათვის (აზნაურები, ვაჭრები და სხვ.), რ-თა მიმართ *სხეულებრივი სასჯელი* არ გამოიყენებოდა. საკანონმდებლო ტექ. თვალსაზრისით, სჯულდება უაღრესად არასრულყოფილი, ძალზე დიდი იყო (შეიცავდა 2224 მუხლს). 1885 რედაქციით იგი ოქტ. რევოლუციამდე (1917) მოქმედებდა.

სისხლის სამართლის კოდექსი, ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რ-იც განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, პირობებს, აგრეთვე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ღონისძიებებს. ს. ს. კ-ის მიღება მოკავშირე რესპ. კომპეტენციას განეკუთვნება. საქ. სსრ მოქმედი ს. ს. კ. მიღებულია 1960 წ. 30 დეკ. მასში ასახულია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართ. კანონმდებლობის საფუძვლები, სსრკ კანონები სახელმწ. და სამხ. დანაშაულთაოვის სისხლისსამართ. პასუხისმგებლობის შესახებ.

საქ. სსრ ს. ს. კ. შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. ზოგად ნაწილში მითითებულია, რომ საქ. სსრ ს. ს. კ-ის ამოცანაა დაიცვას საბჭ. საზ. წესწყობილება, მისი პოლიტ. და ეკონ. სისტემები, სოციალ. საკუთრება, მოქალაქის პიროვნება, უფლებანი, თავისუფლებანი და მთელი სოციალ. მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან (მ. 1). კოდექსი შეიცავს ნორმებს სისხლისსამართ. პასუხისმგებლობის საფუძვლების, დანაშაულის ცნების, ბრალის ფორმების, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის, დანაშაულში თანამონაწილეობის, სასჯელის მიზნების, სახეების, დანიშვნისა და სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ. განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებულია ნორმები ცალკეულ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის შესახებ. იგი მოიცავს შემდეგ თავებს: სახელმწ. დანაშაული, დანაშაული სოციალ. საკუთრების წინააღმდეგ, დანა-

შაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, დანაშაული მოქალაქეთა პოლიტ. და შრომითი უფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ, სამეურნეო დანაშაული, თანამდებობრივი დანაშაული, დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ, დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ, დანაშაული საზ. უშიშროებისა და საზ. წესრიგის წინააღმდეგ, სამხ. დანაშაული.

საქ. სსრ ს. ს. კ-ში შეტანილია ზოგიერთი ისეთი ნორმა, რ-იც ამ კოდექსის თავისებურებას წარმოადგენს (მაგ., მ. 11, რ-შიც დაზუსტებული და განვითარებულია საბჭ. სისხლის სამართ. კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი ბრალის პრინციპი). *გ. ტყეშელიაძე.*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო აქტი, რ-იც აწესრიგებს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის წესს. სსრკ-ში ს. ს. ს. კ-ის მიღება მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება. სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მიღების შემდეგ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიმუშავეს და მიიღეს (1959—61, საქართველოში — 1960 წ. 30 დეკ.) ახ. ს. ს. ს. კ.

მოკავშირე რესპუბლიკების ს. ს. ს. კ-ები აგებულია ერთიანი სისტემის საფუძველზე. კოდექსში გათვალისწინებულია პროცესის ყველა სტადიისათვის დამახასიათებელი ზოგადი დებულებები: სამართალწარმოების ამოცანები, მოკვლევის, საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს ძირითადი ამოცანები; პიროვნების კონსტ. გარანტიები, პროცესის მონაწილეთა პროცესუალური უფლება-მოვალეობები, *აცილება, მტკიცებულებანი,* პროცესუალური ვადები და ა. შ. მოწესრიგებულია პროცესის ცალკეული სტადიები, ასევე სამართალწარმოების თავისებურებანი ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე. *მ. ლეკვეიშვილი.*

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სისხლის სამართლის პროცესის პირველი და დამოუკიდებელი სტადია, რ-ის დროსაც მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო წყვეტენ საკითხს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის საქმის წარმოება დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავის დასადგენად. ს. ს. ს. ა-ის საბაბი შეიძლება იყოს: მოქალაქის განცხადება, სახელმწ. ორგანოს ან საზ. ორგანიზაციის ცნობა, პრესაში გამოქვეყნებული ცნობა, პირის გამოცხადება ბრალის აღიარებით; მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიერ დანაშაულის უშუალოდ გამომჟღავნება. საქმის აღძვრის საფუძველი კი არის ის საკმაო მონაცემები, რ-ებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებენ (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 108). სისხლის სამართ. საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს დანაშაულის შემთხვევისა თუ ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობისას, ამნისტიის ან პატიების დროს, სათანადო ასაკის მიუღწევლობისა და სხვ. შემთხვევაში (მ. 5). კერძო ბრალდებისა და კერძო საჯარო ბრალდების საქმე, როგორც წესი, აღიძვრება დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის განცხადებით.

ა. ფალიაშვილი.

სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები, პირველი საკანონმდებლო აქტი საბჭ. საქართველოს სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში. მიიღო საქ. სსრ იუსტიციის სახ. კომისარიატმა 1921 წ. 5 ოქტ. სახელმძღვანელო დებულებებს საფუძვლად დაედო რსფსრ 1919 წ. 12 დეკ. სისხლის სამართ. სახელმძღვანელო საწყისები, რ-მაც უკუაგდო სისხლის სამართ. ტრად. ფორმალურ-ნორმატივისტული განსაზღვრება და აღიარა მისი კლასობრივი ბუნება, მოგვცა დანაშაულის მატერ. განსაზღვრა, გაითვალისწინა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, უარყო სასჯელის ბურჟ. გაგება, როგორც სამაგიეროს მიზღვისა და ჩამოაყალიბა სოციალ. ჰუმანიზმის გამომხატველი პრინციპი: «...სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზღვა „ბრალისათვის", სასჯელი უნდა იყოს მიზანშეწონილი... და მან არ უნდა მიაყენოს დამნაშავეს უსარგებლო და ზედმეტი ტანჯვა» (მ. 10). გამარჯვებული მშრომელი ხალხის თვალთახედვით იყო განსაზღვრული აგრეთვე საბჭ. სისხლის სამართ. ზოგადი ნაწილის სხვა ძირითადი ცნებები და ინ-ტები.

საქ. სსრ ს. ს. ს. დ. რამდენადმე განსხვავდება რსფსრ სახელმძღვანელო საწყისებისაგან. მას არ ჰქონდა შესავალი; ნაცვლად რვისა, ექვსი კარისაგან შედგებოდა; სრულიად არ იყო გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის ინ-ტი; დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა უშუალოდ დანაშაულებრივი გაზრახვის განხორციელების ხარისხს უკავშირდებოდა; თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხი განსაზღვრავდა, განსხვავება შეიმჩნევა აგრეთვე სასჯელთა სისტემის აგებისა და სასჯელთა დანიშვნის ზოგად საწყისებში. *ლ. სურგულაძე.*

სისხლის სამართლის სტატისტიკა, იხ. სტ. *სასამართლო სტატისტიკა.*

სისხლის სამართლის სჯულდება 1903, მეფის რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი. სჯულდების მიზანი იყო გაეძლიერებინა ბრძოლა რევ. მოძრაობასთან, შეეხამებინა სისხლის სამართ. კანონმდებლობა ბურჟ. ინტერესებთან. კოდექსის ზოგად ნაწილში გათვალისწინებული იყო დანაშაულის, გაზრახვისა და გაუფრთხილებლობის, შერაცხადობის, მცდელობის, მომზადებისა და თანამონაწილეობის ცნებები, სასჯელის სახეები და სხვ.; დასჯითი სისტემა გამოირჩეოდა სიმკაცრით, გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, კატორღა, გადასახლება, საპყრობილე და სხვა სასჯელები. ს. ს. ს. მთლიანად არ მოქმედებდა. მოქმედებდა პოლიტ. დანაშაულთა თითქმის ყველა მუხლი, რ-იც მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთათვის მკაცრ სასჯელს აწესებდა. გარეგნულად ს. ს. ს. ძლიერ განსხვავდებოდა *სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა სჯულდებისაგან 1845 და 1885,* შეიცავდა 683 მუხლს, განსაზღვრებანი მკაცრი სიზუსტით გამოირჩეოდა. ს. ს. ს-ის მომზადებაში მონაწილეობდნენ რუს. გამოჩენილი იურისტები ნ. *ტაგანცევისა* და ი. *ფოინიცკის* ხელმძღვანელობით.

სისხლის საპროცესო სამართალი, სამართლის დარგი, რ-ის ნორმები არეგულირებენ მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობას. ს. ს. ს-ის ძირითადი პრინციპები დადგენილია სსრკ კონსტიტუციით და 1958 „სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებით". ეს პრინციპებია: სოციალ. კანონიერება, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, სახ. მსაჯულთა მონაწილეობა და საქმის განხილვის კოლეგიურობა, მოსამართლეთა და სახ. მსაჯულთა დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, სასამართლოს წარმოება ეროვნ. ენაზე, სასამართლო განხილვის საქვეყნოობა, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, პიროვნების ხელშეუხებლობა, *უდანაშაულობის პრეზუმფცია,* საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გაშოკვლევა, მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენის საფუძველზე, საპროკურორო ზედამხედველობა კანონის დაცვაზე სისხლის სამართ. საქმის წარმოებისას, საზოგადოებრიობის მონაწილეობა საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს და სხვ.

ს. ს. ს-ის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრების, გამოყენების, შემოწმებისა და შეფასების საკითხებს, პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ამ უფლებათა განხორციელების გარანტიებს, განსაზღვრავს სისხლის სამართ. პროცესის სტადიების თანამიმდევრობას, მათ განხორციელებას და სხვა საკითხებს, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართ. საქმეთა გამოძიება-განხილვასა და სისხლის სამართ. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან.

ს. ს. ს-ის ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა, რათა თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს, ხოლო არც ერთი უდანაშაულო არ მიეცეს სისხლის სამართ. პასუხისგებაში და სასჯელი არ დაედოს.

ტერმინი „ს. ს. ს." აღნიშნავს იურიდ. მეცნ. დარგსაც, რ-იც ს. ს. ს-ის პრინციპებსა და ინ-ტებს შეისწავლის.

ა. ფალიაშვილი.

სისხლის ფირფიტები, ადამიანისა და სხვა ძუძუმწოვართა სისხლის ფორმიანი ელემენტების ერთ-ერთი სახე. მონაწილეობენ *სისხლის შედედებაში.* ს. შ-ს უფრო ხშირად *თრომბოციტებს* უწოდებენ.

სისხლის ფქვილი, საქონლის დაკვლის შედეგად სისხლისაგან მიღებული პროდუქტი. იყენებენ სას.-სამ. ცხოველთა საკვებად, როგორც სრულფასოვანი პროტეინის წყაროს. ს. შ-ით კვებავენ უმთავრესად ღორს, ფრინველსა და ბეწვიან ნადირს. საკვებად უპარგის ს. შ-ს სასუქად იყენებენ.

სისხლის შედედება, თხევადი სისხლის გარდაქმნა ელასტიკურ კოლტად; ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია, რ-იც იცავს მას სისხლის დაკარგვისაგან. ს. შ. თანამიმდევარი ბიოქიმ. რეაქციებია, რ-ებიც მომდინარეობს ს. შ-ის ფაქტორების (სშფ) — მთელი რიგი ცილებისა და Ca^{2+} იონების თანაობისას. ს. შ-ის მთავარი ფერმენტების გავლენით მიმდინარე რეაქციებია აქტ. თრომბოპლასტინის წარმოქმნა, პროთრომბინის გარდაქმნა თრომბინად, ფიბრინოგენისა — ფიბრინად და ფიბრინის სტაბილიზაცია. შემდგომში დადგინდა, რომ ს. შ-ის პირველი სტადია ხორციელდება როგორც ს. შ-ის „შინაგანი" (თრომბოპლასტინი წარმოიქმნება სისხლის შემადედებელი ფაქტორებისა და დაშლის პროცესში მყოფი თრომბოპლასტინის წინამორბედისაგან), ისე „გარეგანი" სისტემით (თრომბოპლასტინი წარმოიქმნება ქსოვილების დაზიანების შედეგად გამოყოფილი ქსოვილური სითხის მონაწილეობით). ს. შ-ის პროცესი შედგება მთელი რიგი თანამიმდევარი რეაქციისაგან, რ-თა შედეგად წარმოიქმნება სისხლის თრომბოპლასტინი ანუ პროთრომბინაზა. სისხლში ქსოვილური წინამორბედის (ს. შ-ის გარეგანი გზა) შეღწევისას წარმოიქმნება აქტ. თრომბოპლასტინი. სისხლის ან ქსოვილის პროთრომბინაზა განაპირობებს პროთრომბინის გარდაქმნას ფერმენტ თრომბინად, რ-იც ფიბრინოგენს მოხლეჩს პეპტიდურ ფრაგმენტს და გარდაქმნის მას ფიბრინ-მონომერად. არასტაბილიზებული (შარდოვანასა და ზოგ სხვა მჟავაში ხსნადი) ფიბრინი განიცდის ფერმენტულ სტაბილიზაციას ფიბრინ-მასტაბილიზებელი ფაქტორის გავლენით



სტ. ფ. სნაიდერსი. „თევზის დუჭანი". ერმიტაჟი. ლენინგრადი.



სტ. ფ. სურჭკრანი. „წმინდა ლავრენტი". 1636. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

Ca^{2+} იონების თანაობისას. შედეგად წარმოიქმნება უხსნადი ფიბრინი — პოლიმერი, რ-იც წარმოადგენს სისხლის კოლტის — *თრომბის* ფუძეს. სხვადასხვა სახეობის ორგანიზმში ს. შ-ის სისწრაფე სხვადასხვაა. ადამიანის სისხლი დედდება 5—12 *წთ*-ში. მრავალი დაავადების დროს ს. შ. ყოვნდება, რაც ხშირად განპირობებულია ორგანიზმში სშფ-ის ნაკლებობით. მაგ., ჯიტამინის შეუთვისებლობით გამოწვეული სისხლდენა განპირობებულია ს. შ-ის სხვადასხვა ფაქტორის ბიოსინთეზის დარღვევით, აგრეთვე ორგანიზმში არაპირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტების (K ჯიტამინის ანტაგონისტების, მაგ., დიკუმარინისა და მისი წარმოებულების) ზედმეტი დოზის შეყვანით. ანალოგიური დაავადება შეიძლება განაპირობოს ანტიჰემოფილური A-გლობულინის ანტაგონისტების დაგროვებამ და ამ ცილის სტრუქტურის დარღვევამ. ს. შ-ს განაპირობებს აგრეთვე სისხლის თხევადი მდგომარეობისა და შედედების რეგულაციის დარღვევა, მაგრამ თრომბის წარმოქმნა მხოლოდ ს. შ-ის პროცესის გაძლიერების შედეგი როდია. მსგავსი პათოლ. მდგომარეობის მიზეზია აგრეთვე ავადმყოფის ორგანიზმში შედედების საწინააღმდეგო სისტემის ფუნქციების ლოკალური ან საერთო დაქვეითება. გაფანტული თრომბოზისა და ჰემორაგიის მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე შემადედებელი და შედედების საწინააღმდეგო სისტემების ურთიერთმოქმედების დარღვევამ. *ა. აბესაძე.*

სისხლის ჩანაცვლელი სითხეები, პლაზმის შემცვლელი სითხეები, სამკურნალო საშუალებანი, რ-თაც იყენებენ *სისხლის გადასხმის* მაგივრად ან კონსერვირებული სისხლის განსაზავებლად. იხმარება შოკის, სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის, დამწვრობის, ანემიის, ჩირქოვან-სეპტიკური დაავადებებისა და სხვ. დროს. მოქმედების მიხედვით განარჩევენ: ჰემოდინამიკური მოქმედების ხსნარებს (პოლიგლუკინი, რეოპოლიგლუკინი, ჟელატინოლი), რ-საც იყენებენ მწვავე სისხლდენისა და შოკის (ტრავმული, დამწვრობითი, ოპერაციული) დროს; სისხლის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დაკარგვისას ს. შ. ს-თან ერთად ავადმყოფს უსხამენ გარკვეული რაოდენობით სისხლს ან ერითროციტულ მასას; სადეზინტოქსიკაციო ხსნარებს (ჰემოდეზი, პერისტონი, ნეოკომპენსანი) იყენებენ ეგზოგენური და ენდოგენური ტოქსინების შესაბოჭად და ორგანიზმიდან გამოსაყოფად; პარენტერალურ საკვებ ხსნარებს (ცილოვანი—ჰიდროლიზინი, კაზეინის ჰიდროლიზატი, ამინოზოლი, მორიამინი; ცხიმოვანი — ინტრალიპიდი, ლიპოფუნდინი; ნახშირწყლოვანი — სორბიტოლი, გლუკოზის ხსნარი) იყენებენ იმ შემთხვევებში, როდესაც ორგანიზმი ჩვეულებრივი გზით ვერ ღებულობს საკვებს (ცნობიერების ხანგრძლივი დროით დაკარგვა, საყლაპავი მილის დამწვრობა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის შევიწროება და სხვ.), ან კიდევ ცილების გაძლიერებული დაშლისას (მაღალი ტემპერა, ფართო ტრავმული დაზიანება, ჩირქოვან-სეფსისური პროცესი და სხვ.); მარილხსნარებს (სუფრის მარილის ფიზიოლ. ხსნარი, რინგერის, ფილიფსის ხსნარები, ლაქტასოლი და სხვ.) იყენებენ წყლისა და ელექტროლიტების ბალანსისა და *ტუტე-მჟავური წონასწორობის* აღსადგენად, აგრეთვე ინტოქსიკაციის მოვლენების ლიკვიდაციისათვის; სხვადასხვა დანიშნულების ხსნარებია მანიტოლი და ამინკაპრონმჟავა. პირველს იყენებენ დიურეზის (შარდვის) გასაძლიერებლად, ხოლო მეორეს — ფიბრინოლიზური სისხლდენის შესაჩერებლად.

თ. ტყეშელაშვილი.

სისხლის ფითრი უჯრედები, იხ. *ერითროციტები.*

სისხლის ფნევა, სისხლის ჰიდროდინამიკური წნევა სისხლძარღვებში. განპირობებულია გულის მუშაობისას სისხლის გადატუმბვით სისხლძარღვებში და ამ უკანასკნელთა წინაღობით. ს. ფ-ის სიდიდე არტერიებში, ვენებსა და კაპილარებში განსხვავებულია და წარმოადგენს ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ერთ-ერთ მაჩვენებელს. პარკუჭების *სისტოლის* დროს წნევა (სისტოლური ანუ მაქს.) არტერიებში მატულობს, *დიასტოლის* დროს (დიასტოლური ანუ მინ.) კლებულობს. მრავალი ძუძუმწოვრის მაქს. (სისტოლური) წნევაა მხრის არტერიაში დაახლ. 120 *მმ ვწყ. სვ.*, მინ. (დიასტოლური) — 70 *მმ ვწყ. სვ.* ამ ორ მნიშვნელს შორის სხვაობას პულსური წნევა ეწოდება. ფიზ. და ემოციური დაძაბვისას ხდება არტერიული წნევის ხანმოკლე მატება, რაც ფიზიოლ. შეგუებით რეაქციას წარმოადგენს. ს. ფ-ის გაზომვა შეიძლება პირდაპირი მეთოდით — სისხლძარღვის სანთურთან მანომეტრის ერთი მუხლის შეერთებით და არაპირდაპირი მეთოდით — *სფიგმომანომეტრის* საშუალებით. ადამიანის არტერიულ წნევას ჩვეულებრივ მკლავზე, იდაყვის ზემოთ ზომავენ, რის შედეგადაც მიიღება ს. ფ-ის სიდიდე მხოლოდ ამ არტერიისათვის. მიუხედავად ამისა, მიღებული რიცხვებით შეიძლება ვიმსჯელოთ ს. ფ-ის სიდიდეზე საერთოდ.

კაპილარების არტერიულ ბოლოზე ს. ფ. დაახლ. *ვწყ. სვ.* 40 *მმ* აღწევს. ვენურ ბოლოში კი — *ვწყ. სვ.* 10 — 12 *მმ*-მდე ეცემა, რაც განპირობებულია სისხლის ხახუნით წვრილი ძარღვების კედლებზე. ვენებში ს. ფ. კიდევ უფრო ეცემა და ღრუ ვენებში ატმოსფერულზე ნაკლები ხდება. ს. ფ-ის რეგულაცია ხორციელდება ნერვული და ჰუმორული მექანიზმებით.

ა. ბაკურაძე.

ადამიანის ს. ფ. არტერიებში საშუალოდ უდრის: სისტოლური (მაქს.) 115 — 125 *მმ ვწყ. სვ.*, დიასტოლური (მინ.) 70 — 80 *მმ ვწყ. სვ.* ასაკთან ერთად ს. ფ-ის საშ. სიდიდე იცვლება. ს. ფ-ის მდგრადი მომატება აღნიშნული ციფრების ზევით — *ჰიპერტონია* — სხვადასხვა დაავადების (ჰიპერტონიული დაავადება, ნეფრიტი და სხვ.) ნიშანია. ს. ფ-ის დაქვეითება — *ჰიპოტონია* —შეიძლება იყოს ფიზიოლ., თან ახლდეს სხვადასხვა პათოლ. მდგომარეობას, ან კიდევ დამოუკიდებელ დაავადებად ჩამოყალიბდეს.

სისხლის ჯგუფები, ერთი და იმავე ბიოლოგიური სახეობის (ადამიანი, მაიმუნი) ინდივიდთა განსხვავება სისხლის თავისებურებებით, რასაც საფუძვლად უდევს ერითროციტების ცილების — გლიკოპროტეიდების სხვაობა. თითეული ორგანიზმის სისხლს ახასიათებს ერითროციტების, ლეკოციტების, თრომბოციტებისა და პლაზმის ცილების — ანტიგენების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შეხამება. ცალკეული სისტემების ჯგუფური ანტიგენები ინდივიდის სისხლის ნორმალური თანდაყოლილი ნიშანია, რ-იც სიცოცხლის განმავლობაში არ იცვლება (ამ საკითხს შეისწავლის იზოიმუნოლოგია). ადამიანის სისხლის ჯგუფები 1900 აღმოჩინა ავსტრ. მეცნ. კ. ლანდშტაინერმა, რის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდა *სისხლის გადასხმის* დანერგვა. ადამიანის ს. ჯ. წარმოადგენს ერითროციტებისათვის დამახასიათებელი ანტიგენების სხვადასხვა კომბინაციას. სისხლი ჯგუფებად იყოფა მასში A და B აგლუტინოგენების შემცველობის მიხედვით. ადამიანებში დადგენილია 4 ჯგუფი: I (0) ჯგუფის ერითროციტები არ შეიცავს A და B აგლუტინოგენებს, ხოლო პლაზმა შეიცავს α და β აგლუტინინებს. II (A) ჯგუფის ერითროციტები შეიცავს A აგლუტინოგენს, ხოლო პლაზმა — β აგლუტინინს. III (B) ჯგუფის ერითროციტები შეიცავს B აგლუტინოგენს, ხოლო პლაზმა α აგლუტინინს. IV (AB) ჯგუფის ერითროციტები შეიცავს A და B აგლუტინოგენებს, ხოლო პლაზმა არ შეიცავს აგლუტინინებს. ერითროციტების ანტიგენები მოთავსებულია უჯრედის მემბრნაში და განეკუთვნება იმუნოგლობულინებს. ABO სისტემის ანტიგენები ჩნდება ემბრიონული პერიოდის მე-2—მე-3 თვიდან, ისინი მდგრადია ტემპ-რისადმი, გამშრალ სისხლში შეიძლება აღმოჩნდეს 20—55 წლის შემდეგაც. ABO სისტემის ანტიგენები მცირე რაოდენობით არის აგრეთვე ლეკოციტებსა და თრომბოციტებში. სისხლის თითოეულ ჯგუფში აღმოჩენილია ჯგუფური ანტიგენების სხვადასხვა ვარიანტი. დიდი პრაქტ. მნიშვნელობა აქვს რეზუსის სისტემის იზოანტიგენებსაც. ეს სისტემა ერთ-ერთი ყველაზე რთული იზოსეროლოგიური სისტემაა (აღმოაჩინეს 1940). ადამიანთა 85—97%-ს ერითროციტები *რეზუს-ფაქტორს* შეიცავს და რეზუს-დადებითი ეწოდება, ხოლო დანარჩენი 13—15%-ს ერითროციტები არ შეიცავს მას და რეზუს-უარყოფითი ჰქვია. ასეთი სისხლის მქონე ადამიანს შეიძლება გადაესხას მხოლოდ ABO სისტემის მიხედვით შეთავსებული რეზუს-უარყოფითი დონორის სისხლი. როგორც ABO სისტემის, ისე რეზუს-სისტემის ანტიგენები გადაეცემა მემკვიდრეობით და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. უკანასკნელ წლებში აღწერილია სხვა ჯგუფური სისტემებიც: კელი (K), დაფი (Fy), კიდი (Gk), ლუთერანი (Lu), MNSsP, ლევისი (Le); სქესთან დაკავშირებული ანტიგენების სისტემა (Xg) უშუალო კავშირშია ქრომოსომასთან და გვხვდება ქალების 87%-ში, ხოლო მამაკაცების — 64%-ში. ერითროციტების მრავალრიცხოვანი ანტიგენებიდან 3/4 გაერთიანებულია ალოგენურ სისტემაში, ხოლო 1/4 ქვადგენს ინდივიდ. ანუ ოჯახურ ანტიგენებს. სისხლის გადასხმის წინ ძირითადად იკვლევენ ABO და რეზუს-სისტემის ანტიგენებს. სისხლის მრავალჯერადი გადასხმის დროს მნიშვნელობას ანიჭებენ ლევკოციტებისა და თრომბოციტების ანტიგენებსაც. დადგენილია, რომ ლეკოციტებს აქვს 3 კატეგორიის ჰისტოშეთავსებადი ანტიგენები: მთავარი ლოკუსის (HLA) ანუ საერთო ანტიგენები, გრანულოციტებისა და ლიმფოციტების ანტიგენები. თრომბოციტების ანტიგენური შენება ლეკოციტების მსგავსია. ადამიანის პლაზმასაც ახასიათებს ანტიგენური პოლიმორფიზმი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმუნოგლობულინებსა და *ლიპოპროტეიდებს*. გარკვეული ანტიგენური თვისებებით ხასიათდება ჰაპტოგლობულინები, ტრანსფერინები, პლაზმის სხვა ცილებიც. პლაზმა შეიცავს ჰისტოშეთავსებად ანტიგენებსაც.

სისხლისა და მისი კომპონენტების გადასხმა იწვევს რეციპიენტის ორგანიზმის სენსიბილიზაციას და შემდგომი ტრანსფუზიებისას რეაქციის განვითარებას, რაც ბევრად უფრო ხშირია მთლიანი სისხლის გადასხმის შემდეგ და შეიძლება გამოიხატოს კოლაფსის სახით. ABO და რეზუს-შეუთავსებლობით გამოწვეული პოსტტრანსფუზიული ჰემოლიზური რეაქციებისაგან განსხვავებით, მათ „არაჰემოლიზური" ტრანსფუზიული რეაქციები ეწოდება და ვითარდება 5—6 გადასხმის შემდეგ, როდესაც რეციპიენტის ორგანიზმში მოხვდება არანაკლებ 1×10^9 ლეკოციტი ან 3×10^{10} თრომბოციტი. ამ რეაქციების თავიდან აცილება შეიძლება საჭიროების შემთხვევაში ერითროციტული მასის გადასხმით ან HLA სისტემით შეთავსებული ლეკოციტებისა და თრომბოციტების მასის გადასხმით.

ლიტ.: Клиническая трансфузиология, под ред. В. Рудовского, С. Павельского, пер. с польск., Варшава, 1974; Косяков

П. Н., Иммунология изоантигенов и изоантител, М., 1965; Трансфузионная гематология, под ред. В. Серафимова-Димитрова, София, 1974.

ა. აბესაძე.

სისხლმბადი ორგანოები, ჰემოპოეზური ორგანოები, ორგანოები, რ-თა მთავარი ფუნქციაა სისხლის უჯრედების წარმოქმნა. ს. ო-ს განკუთვნება ძვლის წითელი ტვინი, *ლიმფური კვანძები, ელენთა, მკერდუკანა ჯირკვალი.* მოზრდილი ძუძუმწოვრებისა და ადამიანის მთავარი ს. ო-ია ძვლის წითელი ტვინი, სადაც წარმოიქმნება ერითროციტები, გრანულოციტები (ნეიტროფილები, ეოზინოფილები, ბაზოფილები), აგრანულოციტები (ლიმფოციტების ნაწილი, მონოციტები) და სისხლის ფირფიტები (ჰემოდამელები — თრომბოციტები). დანარჩენ ს. ო-ში ძირითადად ლიმფოციტები ვითარდება. მხოლოდ ზოგიერთი ძუძუმწოვრის (ერთგასაველიანების, მწერიჭამიების, ჩანთოსნების, უმდაბლესი მღრღნელების) ელენთაშია შენარჩუნებული გრანულოციტებისა და ერითროციტების წარმოქმნა. ს. ო-ში სისხლის უჯრედების წარმოქმნას უზრუნველყოფს მათში დასაბამი (ღეროვანი) უჯრედების არსებობა, რ-ებიც საერთოა ყველა სისხლმბადი ქსოვილისათვის.

გ. პაპაძე.

სისხლნაკლებობა, იხ. *ანემია.*

სისხლჩაქცევა, ჰემორაგია, სისხლძარღვიდან გადმოღვრილი სისხლის დაგროვება სხეულის ღრუებში ან მიმდებარე ქსოვილებში. ს. შეიძლება მოხდეს სისხლძარღვის კედლის მოლიანობის დარღვევის, მექან. დაზიანების, პათოლ. პროცესის (მაგ., სიმსივნე) შედეგად ან დაუზიანებელი სისხლძარღვის კედლის შეღწევადობის მომატების გამო (მაგ., რაიმე ქიმ. ნივთიერების ზემოქმედებისას). ჩაქცეული სისხლით შეიძლება გაიჟღენთოს ქსოვილები, რ-ებშიც ჩაიქცა სისხლი, ან წარმოიქმნას შეშოსაზღვრული სისხლის მასა — *ჰემატომა.* ს-ის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი მოცულობით, განვითარების სისწრაფით და ა. შ. პატარა ს. ჩვეულებრივ განიწოვება მკურნალობის გარეშე. ს. შეიძლება შემოიფარგლოს კაფსულით, დაჩირქდეს (რაც სპეც. მკურნალობას საჭიროებს); ყველაზე სახიფათოა ს. ტვინში, იხ. *ინსულტი.*

სისხლძარღვები, სისხლგამტარი ძარღვები, ელასტიკური მილები ადამიანისა და ცხოველების სხეულში, რ-ებშიც მოძრაობს *სისხლი* ან *ჰემოლიმფა.* ს-ს, რ-თაც სისხლი *გულიდან* პერიფერიისაკენ მიაქვთ, ეწოდებათ *არტერიები,* საპირისპირო მიმართულებით სისხლის გამტარ ს-ს კი — *ვენები* (მიუხედავად იმისა, როგორი სისხლია მათში, მაგ. ფილტვის არტერიაში ვენური სისხლია, ფილტვის ვენაში — არტერიული). დახშული ტიპის *სისხლის მიმოქცევის სისტემაში* არტერიებსა და ვენებს შორის ჩართულია *კაპილარები,* რ-ებიც წნულებს ქმნიან; კაპილარულ წნულებთან შეერთებისას არტერიები იტოტებიან არტერიოლებად, ვენები ვენულებად.

კაპილარების კედელი შექმნილია *ენდოთელიუმით,* საკუთრივ ს-ში კი მას ემატება შემაერთებელქსოვილოვანი შრეები, რ-ებიც 3 გარსს ქმნიან: შიგნითას ანუ ინტიმას (ენდოთელიუმი და შემაერთებელი ქსოვილის თხელი ფენა), შუა ანუ მედიას (შედგება კუნთოვანი და ელასტიკური ელემენტებისაგან) და გარეთას ანუ ადვენტიციას (შედგება ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილისაგან). ს-ის ფუნქციის მიხედვით ეს გარსები განსხვავებული სიძლიერითაა განვითარებული, რაც განსაზღვრავს თვით ს-ის ტიპს (მაგ., კუნთოვანი ტიპის ან ელასტიკური ტიპის არტერია და სხვ.).

ლ. ნათაძე.

სისხლძარღვთა გამავართოებელი საშუალებანი, ფარმაკოლოგიური ნივთიერებები, რ-ებიც იწვევენ სისხლძარღვთა გლუვი კუნთების მოდუნებას და შესაბამისად სისხლძარღვის სანათურის გაფართოებას. გამოყოფენ ს. გ. ს-თა რამდენიმე ჯგუფს. მიოტროპული მოქმედების პრეპარატები (კოფეინი, თეოფილინი, პაპავერინი, ნო-შპა, სალსოლინი და სხვ.) გავლენას ახდენენ უშუალოდ სისხლძარღვის კედლის კუნთოვან ელემენტებზე; ნეიროტროპული მოქმედების პრეპარატები მოქმედებენ სისხლძარღვთა ტონუსის ნერვულ რეგულაციაზე და აფართოებენ სისხლძარღვებს. ეს პრეპარატები შეიძლება იყოს პერიფერიული და ცენტრ. მოქმედებისა. პირველს განეკუთვნება ნივთიერებები, რ-ებიც ახდენენ სისხლძარღვთა ადრენერგიული რეცეპტორების ბლოკირებას (ადრენოლითიკები) და ნივთიერებები, რ-ებიც ახდენენ სისხლძარღვთა მაინერვებელი სიმპათიკური ნერვების დაბოლოებებიდან აგზნების გადაცემის ბლოკირებას (სიმპათოლითიკები); სისხლძარღვთა გამაფართოებელი მოქმედება აქვთ აგრეთვე ქოლინომიმეტიკურ ნივთიერებებს (აცეტილქოლინი, კარბოქოლინი).

სისხლძარღვთა ტონუსის ცენტრ. რეგულაციაზე გავლენას ახდენენ ჰიდრაზინო-ფთალაზინის (აპრესინი) და ფენოთიაზინის (ამინაზინი) წარმოებულები და სხვ. ზოგიერთ პრეპარატს აქვს შერეული ცენტრ. ნეიროტროპული და პერიფერიული მიოტროპული მოქმედება. ამ ჯგუფში შედის ნიტრიტები, ნიტრატები (ამილნიტრიტი, ნიტროგლიცერინი და სხვ.) და რეზერპინი (ტროპ. მცენარის რაუვოლფიას ალკალოიდი).

ს. გ. ს-ს უმეტესად იყენებენ *გულის იშემიური დაავადების* (იხ. *სტენოკარდია, გულის კუნთის ინფარქტი*), *ჰიპერტონიული დაავადებისა* და ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის, აგრეთვე ქირურგ. ოპერაციების დროს. იხ. აგრეთვე *გულ-სისხლძარღვთა საშუალებანი.*

სისხლძარღვთა ვაზომოძრავებელი ნერვული ბოჭკოები, ვაზომოტორები, სისხლძარღვთა მაინერვირებელი ცენტრიდანული ბოჭკოები, რ-ებიც სისხლძარღვთა გლუვ კუნთებს გადასცემენ იმპულსებს. ეს უკანასკნელნი იწვევენ მათ შეკუმშვას ან მოდუნებას და ამით განაპირობებენ სისხლძარღვთა სანათურის შევიწროებას ან გაფართოებას. სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სისხლძარღვთა შეშავიწროებელ ნერვებს, რ-ებიც უპირატესად სიმპათიკურ ნერვულ სისტემას განეკუთვნებიან. გულის გვირგვინოვანი შემავიწროებელნი კი ცოტომილ ნერვებს მიეკუთვნებიან. სისხლძარღვთა შემავიწროებელი ნერვების გადაჭრა იწვევს სისხლძარღვთა გაფართოებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი ცენტრები ტონურად არიან აგზნებული.

სისხლძარღვთა გამაფართოებელი ნერვები (ვაზოდილატატორები) გვხვდება ენის, მენჯის, დაფის სიმის და სხვა ნერვების შემადგენლობაში და ეკუთვნიან პარასიმპათიკურ ნერვებს, ხოლო ჩონჩხის კუნთებისა და გულის დილატატორები — სიმპათიკურ ნერვულ სისტემას. ვაზომოტორები ხელს უწყობენ სისხლის არტერიული წნევის მუდმივობას და სისხლის გადანაწილებას. ვაზომოტორული ინერვაციის მოშლას მოსდევს სხვადასხვა სახის ფუნქციური მოშლილობა.

ა. ბაკურაძე.

სისხლძარღვოვანი გარსი, ქორიოიდეა (ბერძნ. chorion — გარსი და eidos — მსგავსი), ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების თვალის კაკლის შუა შემაერთებელქსოვილიანი გარსი. ს. გ. სისხლძარღვების წნულებით და პიგმენტური უჯრედებით მდიდარი შემაერთებელი ქსოვილია. იგი ემსახურება თვალის კედლის, განსაკუთრებით ბადურას კვებას და თვალშიგა სისხლის წნევის რეგულაციას. თვალის კაკლის წინა ზედაპირის ცენტრ. ნაწილში, გუგის ირგვლივ, ს. გ. გადადის ფერად გარსში (ირისში), შიგნითა ზედაპირზე კი ირისის უკან ქმნის ნაოჭს, ე. წ. ცილიარულ ანუ წამწამოვან სხეულს. ზოგჯერ ს. გ-გან გამოკერძოებულია სპეც. დანიშნულების გარსები: მტაცებლების ამრეკლი სარკე (განაპირობებს სიბნელეში თვალის ნათებას), თევზების ვერცხლის გარსი (იწვევს თვალის სადაფისებრ ბზინვარებას) და სხვ.

ლ. ნათაძე.

სისხლწარმოქმნა, ჰემოპოეზი (ბერძნ. haima — სისხლი და poiēsis — შექმნა, გაკეთება), ცხოველებისა და ადამიანის *სისხლის* უჯრედების წარმოქმნის, განვითარებისა და მომწიფების პროცესი. სისხლის ყველა უჯრედი (ყველა სახის ჰემოციტი, ე. ი. *ერითროციტები,* მარცვლოვანი და უმარცვლო *ლეიკოციტები, თრომბოციტები*) ჩანასახოვან პერიოდში ვითარდება *მეზენქიმის* უჯრედებისაგან მეზენქიმოციტებისაგან (ემბრიონული ს.). შემდეგ კი იმავე მეზენქიმისაგან შემორჩენილი არადიფერენცირებული, ე. წ. შტამური ანუ დასაბამი უჯრედებისაგან, რ-ებიც სპეც. *სისხლმბადი ორგანოების,* უმთავრესად ძვლის წითელი ტვინის რეტიკულურ ქსოვილშია (საბოლოო ანუ დეფინიტური ს.). უხერხემლო ცხოველების სისხლი სხეულის ღრუს სითხეში ან თვით სისხლძარღვებში წარმოიქმნება.

შტამური ანუ დასაბამი უჯრედები პერიოდულად იძლევიან ისევ არადიფერენცირებულ, ინტენს. გამრავლების უნარის მქონე უჯრედებს, ე. წ. ჰემოციტობლასტებს; განსაკუთრებული აქტ. ნივთიერების (ე. წ. ჰემოპოეტინების) გავლენით ჰემოციტობლასტები იძლევიან უკვე ერთმანეთისაგან განსხვავებულ უჯრედებს, რ-თაც მხოლოდ ერთი რომელიმე სახის ჰემოციტებად განვითარების უნარი აქვთ (ერითრობლასტები, გრანულობლასტები, მონობლასტები, მეგაკარიობლასტები, ლიმფობლასტები); ამ უჯრედების უმეტესობა რჩება და განვითარებას განაგრძობს ძვლის წითელ ტვინში (მიელოპოეზი), ნაკლები ნაწილი კი, სახელდობრ ლიმფობლასტები, სისხლს გადააქვთ მკერდუკანა ჯირკვალში (თიმუსში), ლიმფურ კვანძებსა და ელენთაში და იქ ლიმფოციტებად ვითარდება (ლიმფოპოეზი). ზოგ ცხოველებს (მაგ., მღრღნელებს), სისხლნაკლებობისას კი ადამიანებსაც, ელენთაში სისხლის სხვა უჯრედებიც, სახელდობრ ერითროციტებიც წარმოექმნება. ს-ის რეგულაცია ხდება ჰორმონებით, ვიტამინებით და სხვა სპეც. აქტ. ნივთიერებებით.

ლიტ.: Шубникова Е., Лекции по гистологии, М., 1974.

ლ. ნათაძე.

ს-ის გაუკუღმართება შეიძლება გამოიწვიოს როგორც გარეგანმა (ქიმ., ფიზ., ინფექციურმა), ისე შინაგანმა (მემკვიდრეობითი, ჰორმონული, ნივთიერებათა ცვლის მოშლა) ფაქტორებმა. განარჩევენ ს-ის გაუკუღმართების ორ ტიპს — ჰიპერპლასტიკურს და ჰიპო-ა-პლასტიკურს. პირველ შემთხვევაში ჭარბად წარმოიქმნება სისხლის უჯრედები, მეორე შემთხვევაში კი ხდება მათი გამრავლებისა და მომწიფების დათრგუნვა. ს-ის გაუკუღმართება შეიძლება შეეხოს როგორც ძვლის ტვინის სამივე შტოს (ლეიკო-, ერითრო- და თრომბოციტოპოეზურს), ისე ერთ-ერთ მათგანს. ს-ის ჰიპერპლასტიკური მდგომარეობა ყველაზე მეტად გამოხატულია ლეიკოზის დროს, როდესაც ირღვევა სისხლის უჯრედების პროლიფერაციისა (გამრავლების) და დიფერენციაციის (მომწიფების) უნარი, იზრდება მათი

სიცოცხლის ხანგრძლივობა, რის შედეგადაც სისხლში დიდი რაოდენობით გროვდება სხვადასხვა პათოლ. უჯრედები. ს-ის ჰიპერპლასტიკური ტიპის დარღვევას განეკუთვნება აგრეთვე ლეკემოიდური რეაქცია, რ-იც თან სდევს სხვადასხვა ინფექციას და ინტოქსიკაციას. ძვლის ტვინის ჰიპო-აპლასტიკური მდგომარეობის დროს ზიანდება ს-ის დედა-უჯრედი ან ერითრო-, გრანულო- და თრომბოციტოპოეზის ადრეული სტადიის უჯრედები, რის გამოც პერიფერიულ სისხლში მცირდება ერითრო-, გრანულო- და თრომბოციტების რაოდენობა.

ს-ის გაუკუღმართება შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმში ვიტამინების, ფერმენტებისა და მიკროელემენტების დეფიციტმა. მაგ., B_{12} ვიტამინის დეფიციტის დროს ვითარდება მეგალობლასტური ტიპის ს., ხოლო რკინის დეფიციტის შემთხვევაში ფერხდება ჰემოგლობინის სინთეზი, რის შედეგადაც ვითარდება რკინადეფიციტური *ანემია*. *ე. მაკალათია.*

სისხლწარმოქმნის სტიმულატორები, სხვადასხვა შედგენილობისა და მოქმედების სამკურნალო საშუალებები და ნივთიერებები, რ-ებიც მასტიმულირებელ გავლენას ახდენენ სისხლწარმოქმნის პროცესზე. ერითროპოეზიის მასტიმულირებელ საშუალებებს — ციანოკობალამინს (B_{12} ვიტამინი) და ფოლმჟავას იყენებენ მათი დეფიციტით გამოწვეული *ანემიის* (პერნიციული ანემია, ორსულთა ანემია, სპრუ და სხვ.) სამკურნალოდ. ერითროპოეზის სტიმულატორებს განეკუთვნება აგრეთვე რკინის შემცველი პრეპარატები — ჰემოსტიმულინი, ფეროპლექსი, ალოეს სიროფი რკინასთან ერთად და სხვ. (რკინა მონაწილეობს *ჰემოგლობინის* და ზოგიერთი ფერმენტის სინთეზში). აღნიშნულ პრეპარატებს იყენებენ რკინადეფიციტური ანემიების სამკურნალოდ. ლეკოპოეზის მასტიმულირებელი საშუალებები — ლეკოგენი, პენტოქსილი, ნუკლეინმჟავა ნატრიუმი, ანდროგენები და ლითიუმის კარბონატი მოქმედებენ ძვლის ტვინზე და იწვევენ ლეკოციტების რაოდენობის მომატებას, რის გმოც ეს პრეპარატები იხმარება სხვადასხვა წარმოშობის ლეკოპენიებისა და აგრანულოციტოზის დროს. *ე. მაკალათია.*

სისხლხველება, ჰემოპტოე, სასუნთქი ორგანოებიდან სისხლის გამოყოფა ხველების დროს. ნახველში შეიძლება იყოს სისხლის „ძაფები", სისხლის მინარევი, სუფთა სისხლი, „ჟანგიანი" ნახველი და სხვ. ფილტვებიდან სისხლდენის დროს სისხლის დიდი რაოდენობა გამოიყოფა. ს. გვხვდება ტუბერკულოზის, ბრონქიტის, ბრონქოექტაზიური დაავადების, ფილტვის სიმსივნის, ანთების, აბსცესის, ინფარქტის, გულის ზოგიერთი მანკიანის და სხვ. დროს. ს-ის მიზეზია სისხლძარღვის დაწყლულება ან გასკდომა, ფილტვებში სისხლის შეგუბება, წვრილი სისხლძარღვების კედლის შეღწევადობის მომატება და სხვ. პირველი დახმარების მიზნით ავადმყოფს ნახევრად წამოაყენებენ, გულმკერდზე ადებენ ყინულიან ბუშტს; უკრძალავენ ლაპარაკს. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ს-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია; სისხლის შემაჩერებელი საშუალებანი.

სიტკა (Sitka), ქალაქი აშშ-ში, ალასკის სამხრ.-აღმ. ნაწილში, კ. ბარანოვის დას. ნაპირზე. 3 ათ-ზე მეტი მცხ. (1975). ნავსადგური სიტკის ყურეში (წყნარი ოკ.). ცელულოზა-ქაღალდის საწარმოები. თევზჭერა. ს. დააარსა რუს.-ამერ. კომპანიამ 1799, 1804 ეწოდა ნოვოარხანგელსკი. 1809-იდან იყო ამერიკაში რუს. დასახლების ადმ. და მთავარი სავაჭრო ცენტრი. 1867 ალასკის აშშ-თვის მიყიდვის შემდეგ გახდა ალასკის ადმ. ცენტრი და ეწოდა ს. 1906 ალასკის ადმ. ცენტრი გადაიტანეს ქ. ჯუნოში.

სიტუაცია (ფრანგ. situation — მდგომარეობა, ვითარება), შექმნილი პირობების ერთობლიობა. ს. სიუჟეტური ნაწარმოების აუცილებელი კომპონენტია. ჟანრის მიხედვით გვაქვს რთული და მარტივი ს-ები. მათში იგულისხმება ადამიანთა ურთიერთობანი, ზოგჯერ ბუნების სტიქია. არსებითი მნიშვნელობა აქვს პირველს. მწერალი ხასიათის შესაქმნელად ან გასახსნელად განგებ ქმნის გარკვეულ ს-ს.

ს. დროისა და სივრცის შესაბამისად არის მცირე და ფართო, ხოლო პერსონაჟის ბედის გადაწყვეტის თვალსაზრისით — დრამატული და არადრამატული. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვით მისი ჩვენება და მის შესახებ მწერლის მცირე ან ფართო რემარკები, ინფორმაცია, ჩვენება უპირატესად დრამ. ჟანრებისთვისაა დამახასიათებელი. მათი დანიშნულების (გასცენირების) შესაბამისად, თხრობით ჟანრებში ს-ის ჩვენება უმთავრესად სათავგადასავლო და დეტექტური ნაწარმოებებისათვისაა ნიშანდობლივი. ს. ზოგ შემთხვევაში აქტ. ისტ. ფონია, ზოგჯერ — პასიური. პირველ შემთხვევაში პერსონაჟის ბედის განმსაზღვრელი ფაქტორი გარედან მოდის, მეორეში — თვით პერსონაჟის ხასიათის თავისებურება განაპირობებს მას. პირველ შემთხვევაში გვაქვს ომები, რევოლუცია, მეომრები, საერთოდ ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობანი. ს-ის როლი ძალზე შემცირებულია დეკადენტურ მწერლობაში, აგრეთვე „ცნობიერების ნაკადის" ლიტრაში, რადგან მათში ფაბულა თითქმის გამქრალია და ყველაფერი დაყვანილია გმირის „თვალსაზრისზე". მეტ-ნაკლებად ასეთი სურათია ყველა მოდერნისტის რომანსა თუ მოთხრობაში. საუკეთესო შემთხვევაში მათში ს. სტატიკურია.

გ. შაუტაშვილი.

სიტუე, აკიაბი, ქალაქი ბირმაში, ნავსადგური ბენგალის ყურის ნაპირზე, მდ. კალადანის შესართავში. რაქაინის (არაკანი) ნაციონალური ოლქის ადმ. ცენტრი, 80 ათ-ზე მეტი მცხ. ბრინჯის ცეხვა და გატანა. ხე-ტყის დამზადება, ასანთის წარმოება. ს-ს სამხრ-ით იღებენ ნავთობს.

სიტუელი (Sitwell) იდით (7. IX. 1887, სკარბორო, — 9. XII. 1964, ლონდონი), ინგლისელი პოეტი ქალი. მის ადრინდ. პოეტურ ნაწარმოებებში შეიმჩნევა ფორმალიზმითა და მოდერნიზმით გატაცება („მასხარას სახლები", 1918, „ხის პეგასი", 1920, „ფასადი", 1922); აღსანიშნავია „ლექსების კრებული" (1930), „ქუჩის სიმღერები" (1943), „მწვანე სიმღერა" (1944), „ცივი სიმღერა" (1945), „ლექსების კრებული" (1954, 1957), სატირული პოემა „ოქროს სანაპიროს წესები" (1929). ს-ის გვიანდ. ლექსებში რეალიზმის ელემენტებიც შეინიშნება („სამი ლექსი ატომური ბომბის ხანაზე", 1945, პოემა „კაენის ჩრდილი", 1947). აქვს ლიტ.-კრიტ. შრომებიც.

სიტულა (ლათ. situla — ვედრო), ბრინჯაოს ჭურჭელი. ცნობილია არქეოლ. აღმოჩენების შედეგად (ჰალშტატის კულტურა და *ლატენის კულტურა*), რ-იც ადრინდ. რკინის ხანას განეკუთვნება. ადრინდ. ს-ს მრგვალი მუცელი და 2 მირჩილული ყური აქვს. გვიანდ. ს. კონუსისებურია, ზევით ფართოვდება და რკალისებრი მოძრავი სახელური აქვს. ზოგი ს. შემკულია სხვადასხვა რელიეფით. ს. დამახასიათებელია ადრინდ. რკინის ხანის ქართ. კულტურისა და საერთოდ კავკ. ცივილიზაციისათვის.

ლიტ.: საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

სიტყვა, ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, რ-იც მოლაპარაკეთათვის ფსიქოლოგიურ რეალობას წარმოადგენს. მის განსხვავებულ მხარეებს შეისწავლის ენათმეცნ. სხვადასხვა დარგი. მაგ., ლექსიკოლოგია სწავლობს ს-ს მნიშვნელობის თვალსაზრისით, მორფოლოგია — ს-ის აგებულებას, სტრუქტურას, სინტაქსი — ს-ის ფუნქციას წინადადებაში. ენობრივ ერთეულთა იერარქიაში ს-ზე მცირე ერთეულია *მორფემა* (ს. შედგება ერთი ან მეტი მორფემისაგან), მას-ზე მსხვილია წინადადება.

ს-ის აგებულება სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია. ამიტომ თითქმის შეუძლებელია ყველა ენისათვის ს-ის ზოგადი დეფინიციის, დადგენა. სადავოა ს-ის არსებობა ამერ. ინდიელთა ინკორპორაციულ ენებში, რ-ებშიც ე. წ. ს.- წინადადებების ურთულესი კომპლექსებია. თვით ერთ ენაში გვხვდება განსხვავებული ტიპის ს-ები. ზოგიერთ ენათმეცნ. მიმდინარეობაში (მაგ., ამერ. *დესკრიფციულ ლინგვისტიკაში*) იყო ცდები ს. ძირითადი ენობრივი ერთეულებიდან ამოერიცხათ და ენათმეცნ. ანალიზში მისი ადგილი მორფემას დაეკავებინა, მაგრამ ამგვარი ცდები უშედეგო აღმოჩნდა.

ლიტ.: ს ტ რ უ ა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975; ფ ო ჩ ხ უ ა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972; Морфологическая структура слова в языках различных типов, М.—Л., 1963; П е ш к о в с к и й А. М., Понятие отдельного слова, მის წგნ.: Сборник статей, Л.—М., 1925; С м и р н и ц к и й А. И., К вопросу о слове (проблема «тождества слова»), «Труды Ин-та языкознания АН СССР», 1954, т. 4. *ნ. სტურუა.*

„სიტყვა", ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, სოც.-დემოკრ. (მენშევიკური) მიმართულებისა. გამოდიოდა ქუთაისში 1913 გაზ. „მერცხლის" შემდეგ. გამოიცა 17 ნომერი. რედ.-გამომცემელი — ვ. აბდალაძე. დაიბეჭდა ადგილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

სიტყვათცვლილება, ფ ლ ე ქ ს ი ა, მ ი მ ო ხ რ ა, სიტყვისათვის აფიქსის დართვა ან სხვა მორფოლოგიური საშუალების (მაგ., ფუძის ფლექსიის) გამოყენება იმ მიზნით, რომ გამოხატონ სიტყვათა ურთიერთობა შესიტყვებაში. ს-ის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია უღლილება — ზმნათა ცვლა პირის (ან გრამატ. კლასის) მიხედვით, ბრუნება — სახელთა ცვლა ბრუნვის მიხედვით.

სიტყვანი, 1. ენციკლოპედიურ გამოცემებში სტატიათა სახელწოდებების (ტერმინების) სრული ნუსხა, ანბანურად, როგორც წესი, მოცემულია მოკლე ანოტაციები და აღნიშნულია სტატიათა მოცულობები (სასტამბო ნიშანთა რაოდენობა); ზოგ შემთხვევაში მინიშნებულია აგრეთვე სტატიის ბიბლიოგრაფია, საილუსტრაციო და კარტოგრაფიული მასალით აღჭურვის საჭიროებები და, თუ ეს პიროვნებებსა და ისტ. მოვლენებს ეხება, თარიღებიც.

ენციკლოპედიის ს. (უნივერსალურისაა იგი თუ დარგობრივის) მთელი გამოცემის თავისებური პროსპექტია. იგი განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და პროფილს, გამოხატავს მის იდეურ-პოლიტ. შინაარსს, ასახავს მეცნ. დონეს.

ენციკლოპედიის მზადების პირველ საფეხურზე მეცნ. უახლესი კლასიფიკაციის გათვალისწინებით დგება თ ე მ ა ტ უ რ ი ს. ცოდნის ცალკეული დარგებისა და სამეცნ. დისციპლინებისათვის. ამ დროს ხდება ტერმინთა შერჩევა სათანადო კრიტერიუმებით, მათი განლაგება ტერმინოლოგიური ურთიერთდაქვემდებარების პრინციპით (ზოგადი ცნებიდან კერძოსკენ), მასალის მიწოდების ერთიანი სისტემის გამომუშავება, ცოდნის დარგთა, სამეცნ. დისციპლინათა და ცალკეულ სტატიათა შორის მოცულობითი თანაფარდობის დადგენა და სხვადასხვა დარგის ტოლფასოვან ტერმინთა ნორმატიული უნიფიცირება, სტატიათა ციკლების (თემატურად მონათესავე სტატიათა ჯგუფების) გამო-

ყოფა. ამ ეტაპზე ტარდება ს-ის ე. წ. მომიჯნავე კითხვა დაინტერესებულ.დარგთა შორის, შინაარსობრივად ურთიერთშემავსებელ ტერმინთა დაკავშირება ე. წ. მითითებათა სისტემის მეშვეობით. თემატური ს-ის მომზადებაში, როგორც მისი შედგენის, ისე საზ. განხილვის პროცესში მონაწილეობენ მოცემული დარგის წამყვანი სპეციალისტები (მაგ., „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის“ შედგა 36 დასახელების თემატური ს.).

თემატური ს-ის ბაზაზე, მათი შერწყმის შედეგად იქმნება საერთო ანბანური ს., რ-შიც ყველა ტერმინი ლაგდება ანბანური რიგის მიხედვით. ამ სპეციფიკის გამო ანბანურ ს-ში ხშირად თავს იყრის სხვადასხვა დარგის ერთი სახელწოდების ტერმინები, რის შედეგადაც, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი დარგი მონაწილეობს სტატიის მომზადებაში (თუ ტერმინები მონათესავეა) და როგორია მათი ხვედრითი წილი, ჩნდება ე. წ. კომპლ., ზიარი და მომიჯნავე კითხვის ტერმინები, სადაც, ჩვეულებრივ, მითითებულია წამყვანი დარგი, ან იქნება ტერმინთა ბუდეები, სადაც სხვადასხვა დარგის ერთი და იგივე ტერმინი წარმოდგენილია სალექსიკონო განმარტების დონეზე. საერთო ანბანური ანუ გამოცემის ს. საფუძველია ტომთა საზღვრების დადგენისა და სტატიათა დაკომპლექტებისათვის, მას სარეგლამენტაციო მნიშვნელობა აქვს.

2. ლინგვისტურ ლექსიკონებში — ანბანური ნუსხა (რეესტრი) სალექსიკონო ერთეულებისა (სიტყვის, ფრაზეოლოგიისა და ა. შ.), რ-ებიც მოითხოვენ განმარტებას ან თარგმანს. *ი. ყიფიანი.*

სიტყვარი, იხ. *ლექსიკონი.*

სიტყვაწარმოება, დერივაცია, წარმოქმნა, სიტყვისაგან (ან სიტყვის ფუძისაგან) ახალი სიტყვის წარმოება აფიქსის მეშვეობით ან, ზოგჯერ, სხვა გრამატიკული საშუალების (ფუძის ფლექსიის, რედუპლიკაციის) გამოყენებით. მაგ., კაც-ი: ს-კაც-ე; გუშინ: გუშინდელი; მწარე: მომწარო; ლურჯი: ლურჯა; კლავს: უკლავს; დგამს: იდგმება და სხვ. იშვიათად ახ. სიტყვა იწარმოება ამოსავალი ფუძის (სიტყვის) შეკვეცით (და არა რაიმე ელემენტის დართვით). მაგ., ნამყოფი: ნამყო და სხვ. მეორეული ს. გვაქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამოსავალი სიტყვა (ფუძე) უკვე ნაწარმოებია. მაგ., ჭედს: მჭედელი: სამჭედლო.

სიტყვიერი პორტრეტი კრიმინალისტიკაში, ადამიანის გარეგნობის აღწერის მეთოდი, რ-იც მხედველობაში იღებს აღამიანისათვის დამახასიათებელ ანატომიურ და სხვა ნიშნებს. იყენებენ გარეგნობის მიხედვით *იდენტიფიკაციის* მიზნით. ს. პ-ს მიმართავენ ოპერატიულ-საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში (მაგ., პიროვნების რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციისათვის, დამალული დამნაშავის ან უკვალოდ დაკარგულის ძებნისათვის და სხვ.). ადამიანის გარეგნული ნიშნები 2 ძირითად ჯგუფად იყოფა: ანატ. (სიმაღლე, თავის ფორმა, აგებულება, სახის ნაკეთები და სხვ.) და ფუნქციური ან დინამიკური (სიარული, მიმიკა, მეტყველების თავისებურება, ჟესტიკულაცია). მხედველობაში მიიღება აგრეთვე ე. წ. „განსაკუთრებული ნიშნები“ (სიკოწკლე, ხალები, ნაიარევი, ტატუირება და სხვ.).

სიტყვისგება, სასამართლო პაექრობა ძვ. საქართველოში: ბრალდებულის თავის გასამართლებელი სიტყვა, მხარეთა კამათი. ტერმ. „ს.“ აღნიშნავდა *აპოლოგიასაც* (ნათარგმნ ძეგლებში, მაგ., *სჯულისკანონში*) და დისკუსიასაც, „სიტყვისმგებელი“ — მოცილე-მოპაექრესა და პასუხისმგებელს, „მიგება სიტყუისა“ კი კითხვა-პასუხის ფორმით შედგენილ კანონში (*სირიულ-რომაული სამართლის* ქართ. რედაქციის მმ. 71, 98, 145 და სხვ.) — პასუხის შემცველ ნაწილს.

წყარო: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; სამართალი ბატონისშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბ., 1964; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ი. ფუტკარაძე.*

სიტყვის თავისუფლება, სსრკ-სა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მოქალაქეთათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი დემოკრატიული თავისუფლება. სსრკ კონსტ. 50-ე მუხლის ძალით, ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალ. წყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით, სსრკ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. ამ პოლიტ. თავისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა. ს. თ. საშუალებას აძლევს საბჭ. მოქალაქეებს აქტ. მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სამეურნეო, სახელმწ. და კულტ. ცხოვრებაში. ს. თ-ის რეალიზაციით სსრკ მოქალაქეები თავისუფლად, როგორც უშუალოდ, ისე თანამედროვე ორგანიზაციულ-ტექ. საშუალებების გამოყენებით, გამოხატავენ თავიანთ აზრებსა და შეხედულებებს ამა თუ იმ სახელმწ. და საზ. საკითხზე. მათ შეუძლიათ განიხილონ უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები, გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა, გამოცდილება, შეიტანონ თავიანთი წინადადებანი, რ-ებიც შეეხება საწარმოების, დაწესებულებების, კოლ-ბებისა და საბჭ. მეურნეობების მუშაობას.

სიტყვის მასალა, მოსწრებული ხატოვანი გამოთქმა, ცხოვრებისეული მოვლენის ემოციურ-ექსპრესიული შეფასება. ს. მ. ფორმითა და შინაარსით ანდაზას უახლოვდება. შეიმჩნევა განსხვავებაც. ანდაზა დასრულებული დამოუკიდებელი მსჯელობაა, ს. მ. კი მსჯელობის ნაწილია, კონკრ. აზრს მხოლოდ კონტექსტში ღებულობს. მაგ., „სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილია“ — ანდაზაა, ხოლო „სხვისი ხელით ნარსა გლეჯს“ — ს. მ. მისი საფუძველია ანდაზა, იგავი, ანეკდოტი და სხვ. *ა. ცანავა.*

სიუ (Sue) ეჟენ (ნამდვ. სახელი მარი-ჟოზეფ) (26. I ან 10. XII. 1804, პარიზი,— 3. VIII. 1857, ანესი-ლე-ვიე, ზემო სავოიის დეპარტ.), ფრანგი მწერალი. გემით რამდენიმე წლის მოგზაურობის შემდეგ დაწერა საზღვაო მოთხრობები და რომანები, რ-თაგან აღსანიშნავია „კერნოკი— მეკობრე“ (1830), „პლიკი და პლოკი“ (1831) და სხვ. 30-იანი წწ. ბოლოს დაიწყო ისტ. რომანების წერა („მატილდი“, 1841 და სხვ.). სახელი გაითქვა სოც. რომანებით „პარიზის საიდუმლოებანი“ (1842—43) და „მარადი ურია“ (ტ. 1—10, 1844—45). ს-ს ეკუთვნის რომანი „ხალხის საიდუმლოებანი“ (1849—56), ჩაფიქრებული „სამყაროს საიდუმლოებანი“ კი ვერ დაასრულა. ს-ს თხზულებები ხშირად იყო საზ.-პოლიტ. ყურადღებისა და განსჯის საგანი.

სიუ, ხალხთა დიდი ჯგუფი, რ-იც ენათა დამოუკიდებელ დიდ ოჯახს შეადგენს. ამ ენაზე ლაპარაკობდა ჩრდ. ამერიკის მრავალი ინდიელი ტომი. ეს ტომები ენობრივად 3 ქვეჯგუფად იყოფოდნენ: შიეერა, დხეგია, მანდანი. მათი წინაპრები ევროპელთა მიერ ამერ. აღმოჩენამდე ჩრდ. ამერ. სამხრ.-აღმ-ით ცხოვრობდნენ და მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდათ. თანამედროვე ს. (რაოდ. დაახლ. 100 ათ. კაცი, 1979, შეფასება) გაფანტული არიან აშშ-ისა და კანადის რეზერვაციებში. მათი არსებობის მთავარი წყაროა დაქირავებული შრომა. აქტიურად მონაწილეობენ ამერ. ინდიელთა ეროვნ.-განმათ. ბრძოლაში.

სიუანხუა, ქალაქი ჩრდ. ჩინეთში, ხებეის პროვინციაში. დაახლ. 200 ათ. მცხ. რკინიგზის სადგური პეკინ—ბაოთოუს ხაზზე. თუჯასხმელი და მილსაგლინი ქ-ნები, ქალალდის, კვების მრეწველობა. ს-ის რ-ში იღებენ რკინის მადანს.

სიუდად-ბოლივარი (Ciudad Bolivar), ქალაქი ჩრდ.-აღმ. ვენესუელაში, ბოლივარის შტატის ადმ. ცენტრი. 143 ათ. მცხ. (1979). ნავსადგური მდ. ორინოკოზე. გააქვთ რკინის მადანი. საავტ. გზების კვანძი. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. ხე-ტყის ხერხვა, ხის დასამუშ., კვების, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. სასაკლაოები. ს.-ბ-ის სამხრ-ით იღებენ რკინის მადანს. დაარსდა 1764.

სიუდად-გუაიანა (Ciudad Guayana), ქალაქი აღმ. ვენესუელაში, ბოლივარის შტატში. ნავსადგური მდ. ორინოკოს მარჯვ. ნაპირზე, მდ. კარონის შესართავთან. 180 ათ. მცხ. (1976). რკინიგზის ტოტით უკავშირდება სერო-ბოლივარს (რკინის მადნის საბადო). დიდი სამრეწვ. რ-ნის ცენტრი. მეტალ., ცელულოზა-ქაღალდის, ქიმ. მრეწველობა. რ-ნში იღებენ რკინისა და მანგანუმის მადანს, ნავთობს.

სიუდად-ობრეგონი (Ciudad Obregón), ქალაქი ჩრდ.-დას. მექსიკაში, სონორის შტატში, მდ. იაკის ნაპირზე, მეხიკო—მასატლან—ნოგალესის რკინიგზასა და საავტ. გზაზე. 182 ათ. მცხ. (1979). რკინიგზის სადგური. სარწყავი მიწათმოქმედების რ-ნის (ბამბა, ზეთოვნები, ხორბალი, ბოსტნეული) ცენტრი. კვების, საფეიქრო, ქიმ. მრეწველობა.

სიუდად-ხუარესი (Ciudad Juárez), ქალაქი ჩრდ. მექსიკაში, ჩიუაუის შტატში, აშშ-ის საზღვართან, მდ. რიო-ბრავო-დელ-ნორტეს ნაპირზე, ქ. ელ-პასოს (აშშ) მოპირდაპირე მხარეს, რ-სც უკავშირდება ხიდით. 625 ათ. მცხ. (1979). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. კვების, საფეიქრო, ლითონდასამუშ. მრეწველობა. ტურიზმი. დაარსდა 1659.

სიუდოუი (Sydow) მაქს ფონ (ნამდვ. სახელი — კარლ ადოლფ) (დ. 10. IV. 1929, ლუნდი), შვედი მსახიობი. 1951 დაამთავრა სტოკჰოლმის სამეფო დრამ. თეატრთან არსებული სკოლა. კინოში იღებენ 1949-იდან. საუკეთესო სახეები შექმნა ი. ბერგმანის ფილმებში: ილუზიონისტი ფოგლერი („სახე“, 1958), რაინდი ტორე („წყარო“, 1959), ექიმი მარტინი („როგორც სარკეში“, 1961), მხატვარი იოჰანი („მგლის საათი“, 1967), მუსიკოსი („სირცხვილი“, 1968) და სხვ. 70-იან წლებში ითამაშა შვედურ ფილმში „ემიგრანტები“ და ამერ. ფილმში „ეშმაკის განმდევნელი“.

სიუზერენი (ფრანგ. suzerain), შუა საუკუნეების დას. ევროპაში მსხვილი ფეოდალი — ტერიტორიის უმაღლესი *სენიორი*, რ-საც მეფის უფლებები ჰქონდა მასზე დამოკიდებული ვასალების მიმართ (იხ. სტ. *ვასალიტეტი*).

სიუზერენიტეტი, *სიუზერენის* უზენაესი უფლება ვასალების მიმართ. საფუძვლად ედო ფეოდ. საკუთრების იერარქიული სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფდა გაბატონებული კლასის შეკავშირებას და მსხვილ ფეოდალთა (მეფეების, ჰერცოგების, გრაფებისა და სხვ.) უზენაესობას პოლიტ. (სამხ., სასამართლო და ა. შ.) საქმეებში. ს-ის ფორმით იყო მოწყობილი საერთაშ.-სამართ. ურთიერთობაც ძლიერსა და უფრო სუსტ ვასალურ სახელმწიფოებს შორის. იხ. აგრეთვე სტ. *ვასალიტეტი*.

სიუი ბეიხუნი, ჟიუ პეონი (19. VI. 1895, ისინის მაზრა, ძიანსუს პროვინცია, — 26. IX. 1953, პეკინი), ჩინელი პეიზაჟისტი და გრაფიკოსი. სწავლობდა შანხაისა და პარიზში (1919-იდან).

1934 იყო სსრკ-ში. 1949—53 პეკინის ცენტრ. სამხატვრო აკად. დირექტორი და სრულიად ჩინ. ლიტ-რისა და ხელოვნ. მოღვაწეთა ასოციაციის თავ-რე. მუშაობდა ჟანრებში „ყვავილები — ჩიტები", „ადამიანები" (ორიენ — ქალალდი, ტუში, წყლის საღებავები), ფლობდა აკვარელის ტექნიკას. ჩინეთში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ზეთით ხატვა. ს. ბ. XX ს. ჩინ. ხელოვნებაში ახ. მიმართულების (რ-იც აერთიანებს ეროვნ. მხატვრობის ტრადიციებსა და ევრ. რეალისტური ფერწერის მიღწევებს) ერთ-ერთი დამაარსებელია.

სიუიტა (ფრანგ. suite, სიტყვასიტყვით — რიგი, თანამიმდევრობა), 1. მუსიკალური ნაწარმოები, რ-იც შედგება ერთი საერთო მხატვრული ჩანაფიქრის მქონე რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწილისაგან. ეს ნაწილები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტემპით, ხასიათით და ა. შ. 2. ერთი თემის მქონე რამდენიმე ცეკვისაგან შემდგარი მუს.- ქორეოგრაფიული კომპოზიცია.

სიუიჯოუ, ქალაქი აღმ. ჩინეთში, ძიანსუს პროვინციაში. 773 ათ. მცხ. (1982) მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი. შეტალურგია (ადგილ. რკინის მადნისა და ქვანახშირის ბაზაზე), სამთო მოწყობილობის წარმოება. ბამბეულისა და კვების მრეწველობა. ხელოსნობა.

სიუკათა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (მსხლების სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1100 *მ*, ჯავიდან 6 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ*. ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. მსხლებში (6 *კმ*).

სიული (Sully) მაქსიმილიენ დე ბეთიუნი (Béthune), ბარონი რონი (Rosny) (13. XII. 1560, რონი-სიურ-სენი, — 22. XII. 1641, ვილბონი), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, ჰერცოგი (1606-იდან), პუატუნტი, ანრი ნავარელის (*ანრი IV*) უახლოესი მრჩეველი *რელიგიური ომების* დროს. ანრი IV-ის ფინანსთა მინისტრი. განამტკიცა სახელმწ. ფინანს. მდგომარეობა, მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწ. ვალი, გადასახადი — *ტალია*, გაზარდა არაპირდაპირი გადასახადები, გაატარა ფულის რეფორმა. თავისი მოღვაწეობით დიდად შეუწყო ხელი რელიგ. ომების შედეგად დანგრეული მეურნ. აღდგენას. ანრი IV-ის სიკვდილის შემდეგ გადააყენეს. 1610 მონაწილეობდა დიდგვაროვან ფეოდ. გამოსვლაში.

სიული-პრიუდომი (Sully-Prudhomme) (ნამდვ. სახელი და გვარი რენე ფრანსუა არმან პრიუდომი) (16. III. 1839, პარიზი, — 6. IX. 1907, შატნე-მალაბრი, ო-დე-სენის დეპარტ.), ფრანგი პოეტი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1901); საფრ. აკად. წევრი 1881-იდან. სახელი გაითქვა პირველივე კრებულით „სტანსები და ლექსები" (1865). იყო „*პარნასის*" წევრი; განიცდიდა რომანტიკოსთა გავლენას. იცავდა ფრანგ. კლასიკური ლექსთწყობის კანონებს. მოგვიანებით მის პოეზიაში მომძლავრდა ფილოს. განსჯა (პოემა „ბედი", 1872). ლუკრეციუსის მიბაძვით დაწერილი მისი პოემები „სამართლიანობა" (1878) და „ბედნიერება" (1888) გადატვირთულია მორალურ-ფილოს. და მეცნ. კონცეფციებით. ს.-პ-ს ეკუთვნის ტრაქტატები, ნარკვევები, შრომები სოციოლოგიურ და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებზე და სხვ.

სიუნიძის სამეფო, სიენიეთი, ფეოდალური სამეფო სომხეთში X—XII სს. II ნახევარში. მდებარეობდა სიუნიქის ოლქში. მოიცავდა ახლანდ. ზანგეზურის (სომხ. სამხრ.-აღმ. ნაწილს) ტერიტორიას. სამეფო დააარსა სიუნიქის დიდმა მთავარმა სმბატმა, რ-იც მეფედ აკურთხეს 970 (დედაქალაქი ღანჯანი). ს. ს-მ აყვავებას მიაღწია XI ს. I ნახევარში ვასაკ I-ისა და სმბატ II-ის დროს. მოსახლ. ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. 1170 ს. ს. დაიპყრო სელჩუკთა მმართველმა ელდიგუზმა. მონღოლთა ბატონობის დროს ს. ს-მ ნაწილობრივ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

სიუპერვილი (Supervielle) ჟიულ (16. I. 1884, მონტევიდეო, ურუგვაი, — 17. V. 1960, პარიზი), ფრანგი მწერალი. მისი მთავარი ლექსების კრებულებია „მიზიდულობა" (1925), „ლექსები უბედურ საფრანგეთზე" (1941), „1939 — 1945. ლექსები" (1946) და სხვ. აქვს აგრეთვე რომანები, მოთხრობები, კომედიები. ს. არ ეკუთვნოდა არც ერთ ლიტ. მიმდინარეობას, მაგრამ დიდი გავლენა მოახდინა თავისი დროის პოეტებზე.

სიუჟეტი (ფრანგ. sujet — საგანი), ნაწარმოების *ფაბულის* მხატვრული დამუშავება, მისი ესთეტიკური ორგანიზაცია და დროსა და სივრცეში გაშლა. ს-ს შეიძლება ვუწოდოთ ფაბულის გაცოცხლება, მისი დამოუკიდებელი მოძრაობა. ს. მოიცავს ამბებს, ეპიზოდებს, სცენებს, სიტუაციებს, პერსონაჟთა თავგადასავალს, ხასიათთა ჩამოყალიბებას, მოტივების სისტემას. მ. გორკის განმარტებით, ს. — ესაა „...კავშირები, წინააღმდეგობანი, სიმპათიები, ანტიპათიები და, საერთოდ, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი, ამა თუ იმ ხასიათის, ტიპის ზრდისა და ჩამოყალიბების ისტორია". ს-ში უკავშირდება პერსონაჟი ამბავს, სხვა პერსონაჟს ან პერსონაჟებს და ეს ნიშნავს მასში ადამიანთა ურთიერთობის გამოხატვას. ს-ში შეიძლება მოცემული იყოს ერთი ამბავი, შეიძლება — ერთზე მეტიც. ზოგი მკვლევრის აზრით, ს. გამოხატავს „სინამდვილის კონცეფციასაც", რაც არ არის სწორი, რადგან ავანტიურისტულ, დეტექტურ, რომანტ. და დეკადენტურ ნაწარმოებებში არ იხატება ან ნაკლებად იხატება „სინამდვილის კონცეფცია", ე. ი. საზ. ცხოვრების ტენდენცია.

ხშირად ძნელდება კვანძის შეკვრის მომენტის მოძებნა ნაწარმოებში, რადგან ფაბულური დრო ყოველთვის არ ემთხვევა სიუჟეტურ დროს. ამ მომენტის მიგნება გადამწყვეტ როლს თამაშობს მწერლის მიერ არჩეული მხატვრული ამოცანის, იდეის გარკვევაში. *გ. ზაუტაშვილი.*


სიურე-კანალი (Suret-Canale) ჟან (დ. 27. IV. 1921, პარიზი), ფრანგი სწავლული, საზოგადო მოღვაწე. საფრ. კომპარტიის წევრი 1939-იდან. დაამთავრა ტულუზის უნ-ტი (1942). 1946—49 ასწავლიდა დაკარის (სენეგალი) ლიცეუმებში. 1959—62 გამოკვლევებისა და დოკუმენტაციების ეროვნ. ინ-ტის დირექტორი კონაკრიში (გვინეის რესპ.). 1967 იანვრიდან საფრ. კპ ცკ-ის წევრი. ძირითადი შრომები აქვს აფრ. ისტორიის, ეკონ. გეოგრაფიისა და გეოგრ., საფრ. ეკონ. გეოგრ. საკითხებზე და საერთო სოციოლოგიურ პრობლემებზე. შრომისათვის „დასავლეთი და ცენტრალური აფრიკა" (რუს. თარგმ. 1961) სსრკ მეცნ. აკად. აფრ. ინ-ტის სამეცნ. საბჭომ მიანიჭა (1963) ისტ. მეცნ. დოქტორის ხარისხი.

თხზ.: Afrique noire, occidentale et centrale, t. 1, [3 éd.], P., 1968; t. 2—3, P., 1964—72; Гвинейская республика, М., 1973.


სიურრეალიზმი (ფრანგ. surréalisme, სიტყვასიტყვით — ზერეალიზმი), მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ერთ-ერთი ფორმალისტური მიმართულება, რ-იც უარყოფს გონების როლს ხელოვნებაში და შემოქმედების წყაროს ეძებს ქვეცნობიერის სფეროში (სიზმარი, ჰალუცინაცია, ინსტინქტი და ა. შ.). ს. წარმოიშვა საფრანგეთში XX ს. დასაწყისში, თეორიულად და ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 20-იან წლებში. ს-ის დამაარსებლები იყვნენ მწერლები: ლ. არაგონი, ფ. სუპო, პ. ელიუარი, რ. დესნოსი, ა. არტო და სხვ. ს-ს ნაწილობრივ ნიადაგი შეუმზადა დადაიზმმა. ს. წარმოადგენს დადაისტური ტენდენციებისა და ჯ. დე კირიკოს „მატაფიზიკური ფერწერის" ევოლუციას 1924 ანდრე ბრეტონმა გამოაქვეყნა „სიურრეალიზმის მანიფესტი". მასში *ფროიდიზმისა* და *ინტუიტივიზმის* საფუძველზე ჩამოყალიბებულია ესთეტ კრედო რ-იც უარყოფს ობიექტურ შემეცნებას შემოქმედება სიურრეალისტების აზრით, ირაციონალური ფსიქ. ავტომატიზმის სფეროს განეკუთვნება ამ „შემოქმედებითი აქტის" ამოცანა გამოიხატება ადამიანის ქვეცნობიერი სამყაროს გამოაშკარავებაში, პირველადი შეგრძნების გადმოცემაში, თვითნებურ ასოციაციებში, გონების ირეალურ ალოგიკურობაში. სიურრეალისტები ხელოვნებას მიიჩნევდნენ საფეხურად ჩვეულებრივი რეალისტური განმჭვრეტელობიდან იმ ზერეალურში გადასასვლელად, რ-იც გონებრივი განსჯის მორალური ხუნდებისაგან ათავისუფლებს ადამიანის ბუნებას. ს-მა ხელოვნ. ყველა სფეროში შეაღწია. მას მეტ-ნაკლებად მიუზღეს ხარკი ავანგარდიზმის წარმომადგენლებმა (რ. ჟოტრაკი, მ. ერნსტი, მენ რეი, ჰ. არპი, პ. რუა, ა. მასონი, ხ. მირო, მ. დიუშანი, ფ. პიკაბია, ი. ტანგი, ს. დალი, რ. მაგრიტი, ლ. ბუნიუელი, ჟ. დიულაკი, პ. პიკასო, რ. კლერი, ჟ. სადული, ჟ. კოქტო, ჟ. პრევერი, პ. დელვო, კ. ზელიგმანი, ა. ჯაკომეტი, ჰ. მური და სხვ.). სიურრეალისტურ კონცეფციას თავისებური ინტერპრეტაცია მისცა კუბისტ ივან გოლის დაჯგუფებამ. მათ ზერეალურად აღიარეს არა შინაგანი სუბიექტივიზმი (როგორც, მათი თქმით, „ორთოდოქსალურმა" სიურრეალისტებმა), არამედ ობიექტური გარესამყაროს რეპროდუქცია (ოღონდ აზრის ჩაურევლად). საფრანგეთსა და დას. ევროპაში ს-ს ლიტ-ში უკვე 30-იან წლებში დაუდგა შემოქმედებითი კრიზისი, სახვით ხელოვნებაში კი იგი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. 40-იან წლებში ს-ის შემოქმედებითმა ცენტრმა აშშ-ში გადაინაცვლა (ა. ბრეტონი, მ. დიუშანი, ი. ტანგი, ს. დალი, რ. მატა ეჩაურენი და სხვ.). სიურრეალისტური შემოქმედებითი მეთოდის კვალი გარკვეულად ემჩნევა თანამედროვე დასავლეთის ხელოვნებას.

სიუტისტე იუპან (1936-მდე — იოჰანეს შიუტცი) [16 (28). XII. 1899, ტიაპტვერე, ახლანდ. ტარტუს რ-ნი, — 10. II. 1945, ტალინი], ესტონელი საბჭ. პოეტი. ესტ. მშრომელთა ყოფისა და ბრძოლის ამსახველი სურათებია წარმოჩენილი ს-ს პოეტურ კრებულებში „ძრწოლა" (1928), „ძირს დამშვიდება!" (1932), „ორი ბანაკი" (1933)). მაღალი მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა ს-ს პოემები „ზღვა და ტყე" (1937—38), „ცეცხლსა და ნაცარში" (1938), „დასავლეთი და აღმოსავლეთი" (1939), „ტარტუ და ტალინი" (1941). წერდა პიესებსაც.

სიუხვის რქა, სიუხვისა და ხვავრიელების სიმბოლო ანტიკურ მითოლოგიაში. მითების თანახმად, იგი არის თხის, ამალთეას რქა. ამალთეას რძით ნიმფები კვებავდნენ ყრმა ზევსს, როდესაც მას უმალავდნენ მამამისს, ქრონოსს. ამალთეას შემთხვევით მოუტეხია რქა, რ-იც მერე ზევსმა აჩუქა თავის აღმზრდელ ნიმფებს. სხვა სიუჟეტის თანახმად, ამალთეას რქის ფასად მდინარის ღვთაება აქელოემ ჰერაკლესაგან დაიბრუნა საკუთარი რქა, რ-იც ორთაბრძოლაში მოტეხა ჰერაკლემ. ამალთეას რქა ჰერაკლემ აჩუქა ნაიადებს (ჰესპერიდებს), რ-თაც იგი ყვავილებით და ნაყოფით აავსეს და ნაყოფიერების ძალებს შესწირეს. ანტ. მითოლოგიაში ამალთეას რქა არის გეას, დემეტრას, პლუტოსს, ცერერას და სხვ. ატრიბუტი და ითვლება სიუხვის, სიმდიდრის, კეთილდღეობის სიმბოლოდ. შეხედულებები ს. რ-ზე ემყარება უძველეს წარ-



სიფონი.



სიფონოვანი წყალმცენარეები. კოდიუმი (Codium fragile).



სიფონოფორები. სიფონოფორა Halistema pictum: 1—პნევმატოფორი; 2—„მოცურავე ზარები"; 3—ჭიშანდა; 4—გასტროზოიდი.



სიქსტეს კაპელა. მ ი ქ ე ლ ა ნ ჯ ე ლ ო. „წინასწარმეტყველი ეზეკიელი". ფრესკა. 1508—1512.

მოდგეწებს ბუნების აღორძინების, კერძოდ, ახ. ნაზარდის შესახებ. მსგავსი წარმოდგენების ანარეკლი საქართველოშიც არის შემორჩენილი, რ-თა თანახმადაც, რქა აღნიშნავს ყოველგვარ წამონაზარდს, მცენარეულს თუ ცხოველურს (მაგ., ვაზის რქა). ს. რ-ის გამოსახულებები გვხვდება ქართ. არქეოლ. ძეგლებზე. *ირ. სურგულაძე.*

სიფარი (თანამედროვე აბუ-ჰაბა ერაყში), ძვ. ქალაქი შუამდინარეთში, მდ. ევფრატის მარჯვ. ნაპირზე. მზის ღვთაების შამაშის (შუმერულად უთუ) კულტის ცენტრი. ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულს — ძვ. წ. I ათასწლეულში ბაბილონეთის მსხვილი ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრი იყო, თვითმმართველობით სარგებლობდა და თავისუფალი იყო გადასახადებისაგან. მართავდა უბუცესთა საბჭო, რ-საც სათავეში შამაშის უზენაესი ქურუმი ედგა. ძვ. წ. 538 ს. სპარსელებმა დაიპყრეს. 1880 დაიწყო ს-ის არქეოლ. კვლევა (თხრიდა ინგლ. არქეოლოგი რასამი). გათხრების შედეგად გამოვლინდა ქალაქის ზღუდე, ქალაქის შუაგულში აღმართული ზიკურათი და ღვთაება შამაშის ტაძარი. ს. 30 *კმ* სიგრძის სამეფო არხით უკავშირდებოდა მდ. ევფრატის მარცხ. ნაპირზე მდებარე ქ. ოპისს.

სიფაჯების აჯანყება, იხ. *ინდოეთის სახალხო აჯანყება 1857—59*

სიფაჯი (თურქ sipahi < სპარს. სეფაჰი — ჯარისკაცი, მეომარი), ოსმალთა იმპერიაში: 1. სამხედრო ლენის — *თიმარებისა* და *ზეამეთების* მფლობელთა საერთო სახელწოდება, მათ სელთნისაგან მიღებული ჰქონდათ სამხ. საკარგავი ღა ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ ცხენოსან ფეოდ. ლაშქარში, მათი შემოსავლის ხარჯზე განსაზღვრული რაოდენობის მებრძოლები — ჯებელიები გამოეყვანათ. XV—XVI სს-ში ს-ები შეადგენდნენ ოსმ. არმიის ძირითად ნაწილს. ს-ს ინ-ტი არსებობდა სანხ.-ლენური სისტემის გაუქმებამდე (1834-მდე). 2. XV—XVIII სს-ში რეგულარულ ჯარში შემავალი ცხენოსანთა რაზმის მეომარი, რ-იც ოსმ. მთავრობისაგან იღებდა ჯამაგირს 3. კოლონიურ ინდოეთში (ძირითადად XVIII ს. შუა წლებიდან) ჯარისკაცები, რ-ებსაც ევროპის არმიებისათვის (პორტუგალია, საფრანგეთი, ინგლისი) ქირაობდნენ ადგილ მოსახლეობიდან. ს-ს ფორმირებებს განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ ინგლისელები.

სიფილისი, იხ *ათაშანგი*.

სიფონი (<ბერძნ siphōn — მილი, ტუმბო). 1. ჭურჭელი, რ-საც აქვს ფსკერამდე ჩამავალი ონკანიანი მილი; იყენებენ წნევის ქვეშ მყოფი შუშხუნა სასმელების დაგაზიანებისა და შენახვისათვის, ტრანსპორტირებისა და გადასხმისათვის. 2. სხვადასხვა სიგრძის მუხლების მქონე მოღუნული მილი, რ-ის მეშვეობით სითხე ერთი ჭურჭლიდან გადაისხმება მეორე, უფრო დაბალ დონეზე მდებარე ჭურჭელში, ამასთან, მილის ზედა ნაწილი მდებარეობს ზედა ჭურჭელში მოთავსებული სითხის დონეზე მაღლა (იხ. ნახ.).

სიფონი *სანტექნიკაში*, იხ. *სანიტარული ხელსაწყოები*.

სიფონი *ჰიდროტექნიკაში*, ავტომატურად მოქმედი მილა *წყალსაგდები*, რ-საც იყენებენ უმთავრესად კაშხალისპირა წყალსაცავიდან, ჰესის არხებიდან და სადაწნეო აუზებიდან ჭარბი წყლის გადასაგდებად. ს-ის შესავალი ნაწილი გაფართოებულია და იგი ზედა ბიეფის დონის ქვეშაა. ს-ის ღირსებაა დიდი გამტარობის უნარი და მისი აშენების შესაძლებლობა ძირითადი ნაგებობის აგების შემდეგ.

სიფონოვანი წყალმცენარეები (Siphonophyceae), მწვანე წყალმცენარეების კლასი. ზოგიერთი ს. წ-ის (კაულერპა) ზომა 0,5 *მ* აღემატება. თალუსი არაუჯრედული აგებულებისაა (ტიხრების გარეშე), რამდენიმე ბირთვს და მრავალ ქლოროპლასტს შეიცავს, ძაფისებრი ან სფერულია, ან კიდევ დაყოფილია ცილინდრულ და ფოთლისებრ ღეროებად. ს. წ. მრავლდება ვეგეტატიურად, სქესობრივად, იშვიათად უსქესოდ. 30-მდე გვარი აერთიანებს 300-მდე სახეობას. იზრდებიან ძირითადად თბილ ზღვებში. სსრკ ზღვებში, მ. შ. შავ ზღვაში ცნობილია 10-მდე სახეობა. ტროპ. ქვეყნებში ზოგიერთ ს. წ-ს საკვებად იყენებენ. ნამარხი ს. წ. გვხვდება ორდოვიციული პერიოდიდან. *ქ. ყანჩაველი.*

სიფონოფორები (Siphonophora), ნაწლავღრუიანი ცხოველების ქვეკლასი *ჰიდროიდულთა* კლასისა. მათი სხეული, რ-ის სიგრძე მერყეობს 1 *სმ*-იდან 3 *მ*, გამჭვირვალე და უფერულია. მხოლოდ ზოგიერთს აქვს კაშკაშა შეფერილობა. ს. ქმნიან პოლიმორფულ კოლონიებს, რ-თა ცალკეულ ინდივიდებს — პოლიპებსა და მედუზებს — სხვადასხვაგვარი აგებულება აქვთ და კოლონიის ორგანოებად არიან გადაქცეული. მეტწილად წვეროზე აქვთ საცურავი ბუშტი (პნევმატოფორი), რ-იც აირითაა გავსებული. ზოგიერთი წარმოადგენს „მოცურავე ზარს" (ნექტოფორს), რ-ის შეკუნთვისა და გაფართოების შედეგად ს-ის კოლონია გადაადგილდება. მკვებავი პოლიპების (გასტროზოიდების) მეშვეობით ს. მოიპოვებენ და ინელებენ საკვებს არიან აგრეთვე სასქესო ინდივიდები (გონოზოიდები) და სხვ. ს. მრავლდებიან სქესობრივად. წყალში თავისუფლად მცურავი ლარვის დაკვირტვის შედეგად წარმოიქმნება კოლონია. ცნობილია 250-მდე სახეობა, რ-ებიც ძირითადად ტროპიკულ წყლებშია გავრცელებული. სსრკ-ში გვხვდება მხოლოდ 2 სახეობა *ა. ჯანაშვილი.*

სიფრიფანაფრთიანები (Hymenoptera), მწერების რიგი ახასიათებთ სრული *მეტამორფოზი*. მათი სხეულის სიგრძე 0,2 *მმ*-იდან 6 *სმ* აღწევს. უმრავლესობას 2 წყვილი გამჭვირვალე სიფრიფანა ფრთა აქვს, რ-თაგან წინა წყვილს ფრენისათვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს. უკანა ფრთები კაუჭებით უკავშირდება წინას და ფრენისას ერთ საერთო ზედაპირს ქმნიან. ზოგი სულ უფრთოა (მუშა ჭიანჭველები). პრიმ ს-ის პირის აპარატი მღრღნელია, უმაღლესებისა — მღრღნელ-მწუწნავი. დედალს აქვს კვერცხსადები, რ-იც ნესტრიანთა ს-ში ნესტრადაა გარდაქმნილი. ს-ის რიგი იყოფა შემდეგ ქვერიგებად. მჯდომმუცლიანები — Symphyta (ხერხიები, ბოლორქიანები), პარაზიტული — Parasitica (მხედრები, მეკაკლიები) და ნესტრიანები — Aculeata (ქრაზანები, ფუტკრები, ჭიანჭველები). სსრკ-ში ს-ის 10 ათ-მდე სახეობაა ცნობილი. საკმაოდ ფართოდ არიან გავრცელებული საქართველოშიც მ. შ. არიან სოფ. მეურნ. მავნებლები (პურის ჩვეულებრივი ხერხია, მსხლის ხერხია, ვაშლის ხერხია, ბლის ხერხია, ხორბლის ხერხია, ნეკერჩხლის ხტუნია ხერხია და სხვ.), პარაზიტული ს., რ-ებიც იკვებებიან ვაშლის ხის, მსხლის, ციტრუსების, ატმის, ვაზისა და სხვათა მავნებლებით; მრავალი სახეობა მცენარის დამტვერავია; ფუტკრის რამდენიმე სახეობა გვაძლევს თაფლს, ცვილს, დინდგელს; ზოგი (ხერხიები, მეკაკლიები და სხვ.) სოფლისა და ტყის მეურნ. მავნებელია.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 369.

სიქა (<სპარს. სექქე), თეგი, ტეიფრი, რ-ითაც იჭრება ლითონის ფული. თითო მონეტის მოსაჭრელად საჭიროა 2 ს. — შუბლისა და ზურგის გამოსახულებებისათვის. შუბლის ს. იჭრებოდა გრდემლზე, ზურგისა — მოძრავ ღეროზე. ს-ზე ამოკვეთილია ნეგატიური გამოსახულება და სამონეტო ლეგენდა. უძველეს მონეტებს (ძვ. წ. VII—VI სს.) გამოსახულება მხოლოდ შუბლის მხარეზე აქვთ. ზედა ს-ის ნაცვლად იხმარებოდა ოთხწახნაგა განიკვეთიანი რკინის ერთი ან რამდენიმე ღერო, რ-იც მონეტაზე ოთხკუთხა ღრმულს (ე. წ. quadratum incusum) ტოვებდა. ზოგჯერ ამ ღეროების ქვედა პირზე რაიმე მარტივი გამოსახულება (ვარსკვლავი, ჯვარი) იკვეთებოდა. თანდათან ეს გამოსახულება გართულდა და ძვ. წ. VI—IV სს-ში გაჩნდა მონეტის ზურგის გამოსახულებაც. მონეტის შუბლისა და ზურგის ს-ები პირველად გამოიყენეს ათენში პისისტრატეს დროს. უძველეს ს-ს ამზადებდნენ ბრინჯაოსა და რკინისაგან, შემდგომში — ნაწრთობი ფოლადისაგან. ანტ. ხანასა და შუა საუკუნეებში თითოეულ მონეტას ჭრიდნენ ზედა ს-ზე ჩაქუჩის დარტყმით. XIX ს-ში გამოიგონეს მონეტის მოსაჭრელი მანქანა, რ-იც პრაქტიკულად დღემდე უცვლელად იხმარება. ს. გაცვეთის შემდეგ იცვლებოდა, ამიტომ მათი პოვნის შემთხვევები იშვიათია. აღმოჩენილი ს-ების უმეტესობა ყალბისმქმელებს ეკუთვნით. 1944 გრემში ნაპოვნია 2 ს. ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; *Зограф А. Н.,* Античные монеты, «Материалы и исследования по археологии СССР», 1951, в. 16.

თ. ქუთელია.

სიძეები (პინდი ენაზე სიქ — მოწაფე), *სიქიზმის* მიმდევრები. ს-ის უმრავლესობა ეროვნებით პენჯაბელია. ცხოვრობენ უმთავრესად პენჯაბის (ინდოეთი) შტატში, თუმცა მათი ცალკეული ჯგუფები გაბნეულია ინდ. მთელ ტერიტორიაზე, ძირითადად მსხვილ ქ-ებში. ს. ცხოვრობენ აგრეთვე სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნებში, აფრიკაში, კ. ფიჯიზე და სხვა რ-ნებში, სულ დაახლ. 10,4 მლნ.

სიძეთარჯა, სოფელი თერჯოლის რ-ნში, მდ. ძევრულის (ჩოლაბურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. პირას, მდ-ების ძევრულისა და ხაურის წყალგამყოფ სერზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ჩხარეწერი). ზ. დ. 220 *მ*, თერჯოლიდან 4 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 13 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა), ღვინის ქ-ნა. დაწყ. და საშ. სკოლები, საბავშვო ბაღი, 2 ბ-კა, კლუბი, ამბულ., საფერშლო პუნქტი, აფთიაქი, 2 კაე შირგაბმ. განყ-ბა.

სიძიზმი, რელიგიურ-რეფორმატორული მოძრაობა, შემდგომ რელიგია. ს. აღმოცენდა ინდოეთში პენჯაბში, როგორც ბჰაქტის (სახ. რელიგ.-სექტანტური მოძრაობა ინდოეთში XII—XVII სს-ში) ერთ-ერთი სექტა. მისი დამაარსებელია გურუ (რელიგ თემის წინამძღვარი) ნანაკი (1469—1539). ს. მონოთეისტური მოძღვრებაა. მას საფუძვლად უდევს იდეა ერთი ღმერთისა (ან ღვთაებრივი საწყისის), რ-იც გამოხატულია ყოველივე არსებულში. ს. აღიარებდა ყველა ადამიანის (კასტობრივი და სოც. მდგომარეობის მიუხედავად) თანასწორობას ღმერთის წინაშე, უარყოფდა რთულ წეს-ჩვეულებითობასა და ასკეტიზმს, ღვთაებისადმი თაყვანისცემის გარეგნულ ფორმებს. ადრინდ. ს. გამოხატავდა ქალაქის მოსახლ. ვაჭარ-ხელოსანთა წრეების იდეოლოგიას, ნანაკის მემკვიდრეების დროს სიქების სექტა ორგანიზაციულად განმტკიცდა. მე-3 გურუმ ამარ დასმა (1552—74) გურუს ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახადა და სიქების სას. გამგებელთა დინასტია დააარსა. მე-5 გურუმ არჯუნამ (1581—1606) შეადგინა სიქების საღვთო (წმინდა) წიგნი *ადიგრანთჰი*. სიქების რელიგ. ცენტრია ქ. ამრიტსარი, სადაც „ოქროს ტაძარში" ინახება ადიგრანთჰი. ს-ის დემოკრატიზმმა განაპირობა მისი პოპულარობა გლეხებსა და ხელოსნებს შორის. XVII ს. II ნახევარში მეთემე გლეხების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო სიქების სექტაში მოზღვავდნენ ჯატები

(გლეხები). ს-ის იდეოლოგიამ მიიღო უფრო მკვეთრად გამოხატული ანტიფეოდ. ხასიათი. მე-10 (და უკანასკნელი) გურუს გოვინდ სინგჰის (1675—1708) დროს სიქების თემში გატარდა სერიოზული რეფორმები. 1699 გოვინდ სინგჰმა მოიწვია სიქების საერთო ყრილობა, რ-ზედაც ისინი გამოაცხადა თანასწორთა თემად (ჰალსად), ხოლო საერთო კრება — სიქების უმაღლეს ორგანოდ. გურუს მემკვიდრეობითი ხელისუფლება გაუქმდა. დადგინდა ზოგიერთი გარეგნული ნიშანი, რ-იც განასხვავებდა სიქებს პენჯაბის დანარჩენი მოსახლეობისაგან. ყოველ სიქს მიენიჭა „სინგჰის“ (ლომი) კეთილშობილი ტიტული. XVIII ს. დასაწყისში ჰალსა მეთაურობდა პენჯაბის ხალხის ბრძოლას ფეოდალებისა და დიდ მოგოლთა იმპერიის წინააღმდეგ. 1765 სიქებმა თავიანთი სახელმწიფო შექმნეს. მაგრამ XVIII ს. II ნახევარში სიქების თემში გაძლიერდა ფეოდალიზაციის პროცესი, ს-მა დაკარგა ანტიფეოდ. დემოკრ. იდეოლოგიის ხასიათი. 1849 ინგლისელებმა ორი ომის შემდეგ (იხ. *ინგლის-სიქების ომები*) სიქების სახელმწიფო დაიპყრეს. თანამედროვე ს. წარმოადგენს რელიგიას ტრად. დოგმებით. ინდოეთში მას აღიარებს მოსახლ. 1,8%, ძირითადად პენჯაბის შტატში.

სიქსტუს ჰაპელა, აღორძინების ეპოქის იტალიური ხელოვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლი *ვატიკანში*, რომში. ს. ჰ-ის გეგმით სწორკუთხა შენობა ააგო არქიტ. ჯ. დე დოლჩიმ 1473—81, აკურთხეს 1483 პაპ სიქსტუს IV-ის დროს (ამიტომ ეწოდა მისი სახელი). კედლების ქვედა ნაწილი მოუხატავია, მას იყენებდნენ განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში რაფაელის კარტონების (1515—16) მიხედვით შესრულებული შპალერების გამოსაფენად. 1481—83 კაპელის კედლები მოხატეს ს. ბოტიჩელიმ, პინტურიკიომ, კ. როსელიმ, ლ. სინიორელიმ, დ. გირლანდაიომ, პ. პერუჯინომ) 1508—12 *მიქელანჯელომ* მოხატა კაპელის ჭერი, ლუნეტები, სარკმელთშორისი არეები, ხოლო 1536 — 41 — საკურთხევლის კედელი („განკითხვის დღე“). ს. ჰ. მნახველთათვის გახსნილია როგორც მუზეუმი.

სიძბიჰარი (1930-მდე უსტ-სისოლსკი), კომის ასსრ დედაქალაქი. ნავმისადგომი მდ. სისოლის ნაპირზე (მდ. ვიჩეგდის შესართავთან). სარკინიგზო ტოტის ბოლო სადგური. 191 ათ. მცხ. (1983).

ცნობილია 1586-იდან. 1780-იდან ქალაქია, 1802-იდან—უსტ-სისოლსკის მაზრის ცენტრი (ვოლოგდის გუბ.). XIX ს. II ნახევრიდან პოლიტ. გადასახლებულთა ადგილია. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 19 დეკ. (1918 წ. 1 იანვ.). 1936-იდან კომის ასსრ დედაქალაქი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1980).

ს-ში განვითარებულია ხე-ტყის სახერხი, ხის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, ლითონდასამუშ. (მექან., გემთსაშენ-გემთსარემონტო ქ-ნები), საშენ მასალათა, მსუბუქი (სამკერვალო ფ-კები, ტყავფეხსაცმლის კომბინატი) და კვების (ხორცისა და საფქვავკომბინატები, რძის ქ-ნა და სხვ.) მრეწველობა.

ქალაქი რადიალურ-რკალურადაა განაშენიანებული მდ-ების ვიჩეგდისა და სისოლის გასწვრივ. საბჭ. პერიოდში აშენდა პედ. ინ-ტი (1938, არქიტ. ი. მინინი), სსრკ მეცნ. აკად. კომის ფილიალი (1941, არქიტ. ა. ზიკეევი), სოფ. მეურნ. სამინისტროს შენობა (1948, არქიტ. ფ. ტენტიუკოვი). 1960-იდან შენდება ახ. საცხოვრ. რ-ნი ეშვა. ვ. ი. ლენინის (გრანიტი, 1967, ლ. კერბელი), მ. ბაბუშკინის (1941, ნ. სარქისოვი), „რევოლუციის მსხვერპლთა“ (ბეტონი, 1962, არქიტ. ა. კოტრუნოვი) ძეგლები.

ს-ში არის სსრკ მეცნ. აკად. კომის ფილიალი, უნ-ტი, პედ. ინ-ტი, ლენინგრ. სატყეო-ტექ. აკად. ფილიალი, ცელულოზა-ქაღალდის, საბჭ. ვაჭრობის, კოოპ. ტექნიკუმები, სამედ., 2 პედ., სამუსიკო და კულტ.-საგანმან. სასწავლებლები. მუს. და დრამ. თეატრები. სამხატვრო და მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

სიღნაღი, ქალაქი აღმ. საქართველოში, რ-ული და საქალაქო საბჭოს ცენტრი (შედის ს., სოფ. ქედელი). გაშენებულია გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. კალთებზე. ზ. დ. 790 *მ*, თბილისიდან 113 *კმ*, წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. ს-ში არის ზომიერად ნოტიო ჰავა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11,1°C, იანვ. 0,2°C, ივლ. 22,3°C, აბსოლ. მინ. —24°C, აბსოლ. მაქს. 37°C. ნალექები 810 *მმ* წელიწადში.


როგორც დასახლებული პუნქტი, ს. წყაროებში პირველად XVIII ს. I ნახევარში იხსენიება. 1762 ერეკლე II-მ ძვ. ციხის ნანგრევებზე ააშენა ქალაქი გალავანითურთ. ს. სამეფო ქალაქი იყო; წარმოადგენდა ქიზიყის ცენტრს. განაგებდა ქიზიყის მოურავი. 1770 აღწერით აქ 100 კომლი ვაჭარ-ხელოსანი ცხოვრობდა. XVIII ს. ბოლოს ს-ის ეკონ. მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ სამაზრო ცენტრია. 1905—07 ბურჟ.-დემოკრ. რევ. დროს ს-ში ეწყობოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში (1918—21) სიღნაღელი მშრომელები აქტიურად იბრძოდნენ საბჭ. ხელისუფლების გამარჯვებისათვის. 1921 თებერვალში დამყარდა საბჭ. ხელისუფლება.

ქალაქში არის სამკერვალო ფ-კა, ხალიჩების საამქრო, პურკომბინატი, ადგილ. მრეწვ. და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, საშ., სამუსიკო და სპორტ. სკოლები, სკოლა-ინტერნატი, სამუსიკო სასწავლებელი, პიონერთა სახლი, 2 საბავშვო ბაღი და 1 ბაგა, კულტსახლი, კინოთეატრი, სახ. თეატრი, 2 ბ-კა, კულტურისა და დასვენების პარკი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, აფთიაქი, სანეპიდსადგური, მეთესლეობის სახელმწ. ინსპექცია, აგროქიმ. და ეეტლაბორატორიები, კავშირგაბმ. განყ-ბა. ტურისტული სასტუმრო „ამძრანი“, ვ. ი. ლენინის (მოქანდაკე ვ. თოფურიძე), ვ. სარაჯიშვილის (1967, მოქანდაკე ა. ბილანიშვილი), „ამირანის“ (1981, მოქანდაკე ვ. ონიანი) ძეგლები.

ქალაქზე გადის რესპ. მნიშვნელ.ობის გზები: თბილისი — სიღნაღ — ლაგოდეხ — აზერბ. სსრ საზღვარი, სიღნაღ—გურჯაანი, და სიღნაღ—წნორ—წითელწყარო.

ს-ის ციხე-გალავანი ნაგებია რიყის ქვით, აქა-იქ აგურიც არის გამოყენებული. ციხეს თითქმის 40 ჰა ფართობი ეჭირა, გალავანი რელიეფს გასდევდა და ამიტომ გეგმა უსწორმასწოროა. გალავანში დატანებულია 23 კოშკი (მათ მახლობელი სოფლების — ბოდბის, ეელისციხის, მაჩხაანის, საქობოს, ანაგის, ბაკურციხის, კარდანახის, ვაქირის, შილდის, მირზაანის, მაღაროს და სხვ. — სახელები ერქვა) და 5 ჭიშკარი, რ-თაგან მაღაროს კარი უშუალოდ ციხეს უკავშირდებოდა. კოშკების დიდი ნაწილი ორსართულიანია, ნაწილი — სამსართულიანი. კოშკებს აქვს სათოფურები, ნიშები, ბუხრები, საბრძოლო ბანები. ციხის გალავანი ორიარუსიანია. პირველი იარუსი სქელია და ჭრუ. მეორე იარუსს გასდევს საბრძოლო ბილიკი, კედლებში სათოფურებია. XIX ს-ში ახ. ქალაქმა დაიკავა ძვ. ქალაქის ადგილი და ნაწილობრივ ციხის ტერიტორიაც.

ლიტ.: Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тб., 1959.




სიქტივკარი. ქალაქის ახალი მიკრორაიონი.

სიღნაღის მაზრა, ადმ.-ტერ. ერთეული რუსეთის იმპერიაში, თბილ. გუბ. შემადგენელი ნაწილი. ცენტრი სიღნაღი. შეიქმნა 1802. გაუქმდა 1840, მაგრამ აღადგინეს 1845. ს. მ-ში შედიოდა შემდეგი უბნები: ბაკურციხისა, კოდალოსი, მაჩხაანისა (1901-იდან ქვემო მაჩხაანის), შირაქისა და ალაზანგაღმა. ს. მ. გაუქმდა 1929.

სიღნაღის რაიონი, ადმ.-ტერ. რაიონი აღმ. საქართველოში. 1917-მდე ახლანდ. ს. რ-ის ტერიტ. თბილ. გუბერნიაში შედიოდა და სიღნაღის მაზრა ეწოდებოდა. 1921 საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფით ისევ სიღნაღის მაზრაა, 1928 კახეთის მაზრაშია, 1929 — კახეთის ოლქში, 1930-იდან დამოუკიდებელი რ-ნია. ს. რ-ს ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრება ლაგოდეხის რ-ნი და აზერბ. სსრ, სამხრ-ით — წითელწყაროს, დას-ით და ჩრდ.-დას-ით — გურჯაანისა და საგარეჯოს, აღმ-ით—წითელწყაროს რ-ნები. ფართ. 1251,7 *კმ*². რაიცენტრი ქ. სიღნაღი. ს. რ-ში შედის 2 საქალაქო (სიღნაღი, წნორი) და 12 სასოფლო საბჭო (ანაგა, ბოდბე, ბოდბისხევი, ვაქირი, მაღარო, ნუკრიანი, საქობო, ტიბაანი, ულიანოვკა, ქვემო მაჩხაანი, ძველი ანაგა, ჯუგაანი), 2 ქალაქი და 23 სოფელი.

ბუნება. რელიეფი. ს. რ-ის ჩრდ. ნაწილი გომბორის ქედიდან მდ. ალაზანამდე უჭირავს ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს (აბსოლ. სიმაღლე 220-იდან 350 *მ*-მდე), რ-იც აგებულია თანამედროვე კონტინენტურ გეოსინკლინზე ჩამოყალიბებული მეოთხეული ფხვიერი (ალუვიური) ნალექი ქანებით. ვაკე ჩრდ-ით (ალაზნის პირას) დადაბლებულია, სამხრ-ით—შედარებით ამაღლებული, დაბრილია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ. ზედაპირზე აქა-იქ ამართულია 3—6 *მ* შეფარდებითი სიმაღლის გორაკები (რუისთავი, ანაგისთავი, ნამორისთავი, თარაგასთავი და სხვ.), რ-ებიც თითქოს არღვევენ ვაკის საერთო, ბრტყელზედაპირიან, შეხედულებას. ალაზნის ვაკის რელიეფი გართულებულია აგრეთვე გამოზიდვის კონუსებში ჩაჭრილი მცირე სიღრმის ეროზიული ფორმებით. ს. რ-ში შედის გომბო-



სიღნაღი. სიღნაღის ციხე. გალავნის ნაწილი. ე. წ. „შილდის ბურჯი“. 1762.

რის ქედის მცირე მოხაკვეთი (რ-ის აბსოლ. სიმაღლე 1000 *მ*-ს აღემატება, ჭოპორტის მთა — 1087 *მ*), რ-იც აგებულია ნეოგენური კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხებით. ქედის სამხრ.-დას. კალთა დამრეცია, დასერილია მშრალი ხევებით და თანდათანობით გადადის ივრის ზეგანში, ჩრდ.-აღმ. კალთა შედარებით ციცაბოდ ეშვება ალაზნის ვაკისაკენ. მშრალი ხევების გარდა შეინიშნება მეწყრებიც. რ-ნის ტერიტ. დიდი ნაწილი უკავია ნეოგენური და მეოთხეული ნალექი ქანებით (ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, თიხებით) აგებულ ივრის ზეგანს, რ-ის რელიეფში გაბატონებულია ტექტოგენური ფორმები — მონოკლინური და ანტიკლინური მაღლობები, ბორცვიანი და დაბალმთიანი სერები და ვრცელი სინკლინური ვაკე-ტაფობები. არის აგრეთვე ეროზიული ფორმებიც — მდ. ივრის თანამედროვე ხეობა და მთელი რიგი ძველი (ამჟამად მშრალი) ხეობებისა, ხრამები, ბეღლენდები და სხვ. წიაღისეულიდან, აღსანიშნავია ნავთობი (ჩათმის საბადო).


ჰავა. ს. რ. ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავის ოლქშია და მოიცავს ჰავის რამდენიმე ტიპს: ალაზნის ვაკეზე ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. გომბორის ქედზე იგივე ჰავაა, მხოლოდ ზაფხული ხანგრძლივობილია. ივრის ზეგანზე ძირითადად ცხელზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა (სამხრ. ნაწილში), რ-იც ჩრდ-ით ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავით იცვლება. ყველგან წელიწადში ნალექების ორი მინიმუმია. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11-იდან 13,4°C-მდეა (სიღნაღი 11,1°C, წნორი 13,4°C), იანვ. 0,2-იდან 1,4°C-მდე, ივლ. 22,3—25°C; აბსოლ. მინ. —23, —25°C, აბსოლ. მაქს. 37—40°C. ალაზნის ვაკეზე 600—670 *მმ* ნალექი მოდის წელიწადში (წნორი 610 *მმ*), უფრო მეტი ნალექი იცის გომბორის ქედზე (სიღნაღი 810 *მმ*), ნაკლები — ივრის ზეგანზე (400—500 *მმ*). ნალექების მაქს. გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისშია.

შიგა წყლები. რ-ნის მდინარეთა ქსელს ქმნის იორი, ალაზანი და რამდენიმე პერიოდული ხასიათის მდინარე. მდ. იორი კვეთს ივრის ზეგანს სამხრ. ნაწილში, მთელ სიგრძეზე აქვს კარგად გამოხატული მეანდრები. მარცხნიდან უერთდება მდ. ოლე, მარჯვნიდან— მშრალი ღელე ალანდარისხევი. ასეთივე ღელეებია გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მაგრამ ისინი მდ. იორამდე ვერ აღწევენ. მდ. ალაზანი რ-ნს ჩრდ-ით ჩამოუდის. მისი პერიოდული შენაკადებია: ოლე და დიდი ოლე. მნიშვნელოვანი ჰიდროლ. ობიექტია ალაზნის არხი. გომბორის კალთაზე არის მშრალი ხევები, რ-ებშიც ძლიერი წვიმების დროს წყალი მიედინება, ზოგჯერ ღვარცოფებიც წარმოიქმნება. ივრის ზეგანზე, ჩათმის ტაფობში, მდებარეობს მლაშე ყაჯირის ტბა. რ-ნის მდ-ები დიდდება გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში, წელიწადის სხვა დროს წყალმცირობაა.

ნიადაგები. რ-ნის ფარგლებში ალაზნის ვაკეზე განვითარებულია ტყე-სტეპის გარდამავალი ზოლის შავმიწისებრი, ალუვიურ-კარბონატული და მდელოს კარბონატული ნიადაგები. დიდი ფართობი უკავია ბიცობიან და ღრმად დამლაშებულ ნიადაგებს. გომბორის ქედის კალთებსა და მთისწინეთში გავრცელებულია აღმ. საქართველოს ტყეთა ქვედა სარტყლის ყავისფერი და მცირედ ტყის ყომრალი ნიადაგები. ივრის ზეგანზე განვითარებულია მცირე და საშ. სისქის შავმიწები და წაბლა ნიადაგები დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების კომპლექსით. რ-ნის ნიადაგები ნოყიერია და მორწყვის პირობებში უხვ მოსავალს იძლევა. მიმდინარეობს დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების მელიორაცია.

მცენარეული საფარი. ტერიტ. დიდი ნაწილი ათვისებულია სას.-სამ. კულტურებისათვის. ბუნებრივი მცენარეულობა, ისიც ძირითადად მეორეული, დაუმუშავებელ ადგილებშია. ალაზნის ვაკეზე გაბატონებულია ჯაგეკლიანი სტეპი ტყის ელემენტებით, ვაკის სამხრ.-აღმ-ში უროიანი სტეპი და ძებვიანი მორიგეობით ცვლის ერთმანეთს. გომბორის ქედზე შემორჩენილია ტყეები; ძირითადი ჯიშებია მუხა და რცხილა, მთისწინეთში ტყესტეპებია ძებვის, ჯაგრცხილისა და სხვ. სახეობის ბუჩქნარით. ივრის ზეგანზე აუთვისებელი ფართობი უკავია ვაციწვერიან და უროიან სტეპებს, სადაც ვხვდებით ჯაგეკლიან ბუჩქნარებსაც. ზეგნის სამხრ. ნაწილში გავრცელებულია ნახევარუდაბნოთა მცენარეები (ავშანი, ყარღანი, ხურხუმო, ჩარანი). აქა-იქ არის ნათელი ტყეები (სალსალაჯი, აკაკი, ღვია, ქართული ნეკერჩხალი და სხვ.) და კლდეთა ქსეროფიტული მცენარეულობა. მდ. ალაზნისა და განსაკუთრებით მდ. ივრის სანაპიროზე შემორჩენილია ჭალის (ტუგაის) ტყეები (ჭალის ეერხვი, ჭალის მუხა, თელა, წნორი, იალღუნი და სხვ.), სადაც ბევრია კუნელი, ძებვი, კოწახური და სხვადასხვა ლიანები.





ცხოველთა სამყარო. რ-ნის ტერიტორიაზე არის მგელი, მელა, ტურა, თეთრყელა კვერნა, მაჩვი, დედოფალა; ბევრია კურდღელი, მდინარისპირებში არის ლელიანის კატა; ჭალის ტყეებში, უფრო კი ივრისპირას—გარეული ღორი, აქა-იქ—ზოლებიანი აფთარი. მრავლადაა მღრღნელები: საზოგადოებრივი მემინდვრია, რუხი ვირთაგვა, ბუჩქნარის მემინდვრია, ტყის თაგვი, ზაზუნა, წყლის მემინდვრია, ძილგუდა, მექვიშია და სხვ. ალაზნის ვაკეზე და ივრის ზეგანზე გავრცელებულია კაკაბი, ჩვეულებრივი ხოხობი, გნოლი, მწყერი, შაშვი, ყვავი, კაჭკაჭი, გარეული მტრედი და სხვ. მდ-ებში მრავალნაირი თევზია: ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მურწა, ფრიტა, თაღლითა, მტკვრის წვერა, გველანა, წითელტუჩა ჭერეხი, მტკვრის ციმორი, ჭანარი, ბლიკა, გოჭალა და სხვ.

ბირითადი ლანდშაფტები: რ-ნში ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო მთა-ტყის, ვაკე ბორცვიან-მთიანეთის ზომიერად მშრალი სუბტროპ. და ზომიერად სუბტროპ. ვაკის ლანდშაფტების ტიპების შემდეგი სახეები: 1. ვაკე ჯაგეკლიან-სტეპური და ჰალოფილური მცენარეულობით ალუვიურ, შავმიწისებრ და დამლაშებულ ნიადაგებზე; 2. ხევ-ხრამებიანი და გამოზიდვის კონუსებიანი ბორცვიანი მთისწინეთი ჯაგრცხილნარით და ჯაგეკლიანი სტეპით ტყის ყავისფერ ნიადაგებზე; 3. წვრილგორაკები და ვაკე-ტაფობები სტეპის მცენარეულობით შავმიწა და წაბლა ნიადაგებზე; 4. ტაფობები ჰალოფილური მცენარეულობით დამლაშებულ ნიადაგებზე; 5. წვრილგორაკები არიდული ტყით რუხ და რუხყავისფერ ნიადაგებზე; 6. დაბალი მთები მუხნარით და რცხილნარით ტყის ყავისფერ და ყორმალ ნიადაგებზე; 7. ჭალის ტყის ლანდშაფტი.

მოსახლეობა. უპირატესად ცხოვრობენ ქართველები, მცირე რაოდენობით რუსები, სომხები და სხვ.; ქალაქის მოსახლ. შეადგენს რ-ნის მოსახლ. თითქმის 90%-ს. განსახლების ზონა ვრცელდება ზ. დ. 300—800 *მ* ფარგლებში.

სახალხო მეურნეობა. ს ო ფ. მ ე ურ ნ. ეკონომიკა. წამყვანი დარგებია მეექვნახეობა და სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა. განვითარებულია აგრეთვე მარცვლეულის, ბოსტნეულისა და მზესუმზირას წარმოება. რ-ნში არის 12 კოლ-ბა და 3 საბჭ. მეურნ. (ულიანოვკის მეთესლეობის და ხირსის მევენახეობისა და სიღნაღის სამეურნეობათაშორისო სანერგე მეურნ.). სას.-სამ. სავარგულებს უჭირავს 137,2 ათ. ჰა, რ-თაგან სახნავ-სათესია 39,3 ათ. ჰა, სათიბ-საძოვარი 85,3 ათ. ჰა, მრავალწლოვან ნარგაებს უკავია 6,4 ათ. ჰა, სარწყავი ფართ. 20,3 ათ. ჰა. ძირითადი სას.-სამ. კულტურაა ვაზი. ვენახს უკავია 5,9 ათ. ჰა (უმთავრესად გაშენებულია რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ციცქა). ნათესი ფართ. შეადგენს 40,0 ათ. ჰა-ს, აქედან მარცვლეულს უკავია 17,8 ათ. ჰა, საკვებ კულტურებს—21,2 ათ. ჰა, მზესუმზირას—1,8 ათ. ჰა. მეცხოველეობაში ჭარბობს მსხვ. რქ. საქონელი. პირუტყვის სულადობა (1984): მსხვ. რქ. საქონელი 31,2 ათ. (აქედან ფური და კამეჩი 8,1), ღორი — 16,7 ათ., ცხვარი და თხა — 150,2 ათ. საქობოში არის წნორის მსხვ. რქ. საქონლის გამოსაზდელ-სასუქებელი სპეციალიზებული ექსპერ. კომპლექსი. რ-ნში განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

მრეწველობის მთავარი დარგია კვების მრეწველობა. არის ღვინის 7 ქ-ნა (წნორში, ხირსაში, ტიბაანში, ანაგაში, ვაქირში და ქვემო მაღაროში). წნორში არის პურპროდუქტების კომბინატი, მექან., ყველ-კარაქის, საკონსერვო, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქ-ნები.

აღსანიშნავია აგრეთვე სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკა და ხალიჩების საამქრო, რაიონსამრეწვ. და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები და სხვ.

ტრანსპორტი. რ-ნის ერთიან სატრანსპ. სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რკინიგზის ტრანსპორტს. რ-ნის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო ხაზები (თბილისი—კაჭრეთ—წითელწყარო და გურჯაან — წნორი) და რესპ. მნიშვნელობის საავტ. გზები (თბილისი—საგარეჯო — სიღნაღ — ლაგოდეხ — აზერბ. სსრ საზღვარი, სიღნაღ—გურჯაანი და სიღნაღ — წნორ — წითელწყარო). ადგილ. გზების სიგრძეა 317 *კმ*. 1972-იდან გაყვანილია აირსადენი. სიღნაღი წნორთან აგრეთვე დაკავშირებულია ბაგირგზით. (4460 *მ*).

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 1984 რ-ნში იყო 20 ზოგადსაგანმან. სკოლა, მ. შ. 7 საღამოს (ცვლიანი), (8,9 ათ. მოსწ., 740 მასწავლებელი). წნორში არის ზოოვეტ. ტექნიკუმი, სამუსიკო სკოლა, სიღნაღში—სამუსიკო სასწავლებელი, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, პიონერთა სახლი, სახ. თეატრი, სოფ. ყარაღაჯში—საქ. სსრ პიდროტექ. და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ალაზნის საცდელ-სამელიორაციო სადგური. რ-ნში არის 55 ბ-კა, 22 საკლუბო დაწესებულება. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (სიღნაღი), ი. ევდოშვილის სახლ-მუზეუმი (ბოდბისხევი), ფ. მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი (ქვემო მაჩხაანი), ა. ახმეტელის სახლ-მუზეუმი (ანაგა), ი. მოსაშვილის სახლ-მუზეუმი (ვაქირი). გამოდის რ-ნული გაზ. „კოლმეურნე". სოფლები ელექტრი- და რადიოფიცირებულია, იღებენ ტელეგადაცემებს. რ-ნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 2 საავადმყოფო (325 საწოლი), 2 პოლიკლინიკა, 13 მედპუნქტი, 116 ექიმი და 421 საშ. მედმუშაკი.

ისტ. ძეგლებია: *ბოდბის მონასტერი* და ხირსის მონასტერი (ტიბაანის მახლობლად), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI—XIII სს.), ვაქირის ნათლისმცემლისა და კვირაცხოველის ეკლესიები (შუა საუკ.), დავითგარეჯის (შუა საუკ.) ეკლესია მაღაროს მახლობლად, თამარის ციხე და წმ. ელიას ეკლესია (შუა საუკ.) ძველ ანაგაში, სიღნაღის ციხე (შუა საუკ.) და სხვ. *დ. უკლება. მ. უკლება.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 560—561.

სილრმის ბომბი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის იარაღის ერთ-ერთი სახეობა, რ-საც იყენებენ წყლის სიღრმეში წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად. წარმოადგენს ჭურვს, რ-ის ცილინდრულ, სფეროცილინდრულ, წვეთისებრ ან სხვა ფორმის ლითონის კორპუსში მოთავსებულია ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება ან ატომური მუხტი. განარჩევენ საავიაციო და გემის ს. ბ-ებს. პირველად გამოიყენეს I მსოფლიო ომში (1914—18). უმნიშვნელოვანეს ნავსაწინააღმდეგო იარაღს წარმოადგენდა II მსოფლიო ომშიც (1939—45).

სილრმული რღვევა, დედამიწის ქერქის გამჭოლი, მანტიაში ჩასული რღვევათა ვიწრო ხაზობრივი ზონა. ს. რ-ების სიგრძე ასეული ან ათასეული *კმ*-ია, სიღრმე 700 *კმ*-მდე; დანაპრალიანებული ზონების სიგანე რამდენიმე ასეული *მ*-იდან რამდენიმე *კმ*-მდეა. ს. რ-ები დედამიწის ქერქს ანაწილებს ბლოკებად, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მოძრაობის ხასიათით და სტრუქტურით. ჩვეულებრივ, ს. რ-ები ვითარდება გეოლ. დროის ხანგრძლივი ინტერვალის განმავლობაში. ს. რ-ების ზონებთან დაკავშირებულია მაგმური და სეისმური აქტიურობა.

სილვითლე, კანისა და ლორწოვანი გარსების ყვითლად შეფერება სისხლში *ბილირუბინისა* და მისი ცვლის პროდუქტების რაოდენობის მომატების შედეგად. არსებობს ს-ის 3 სახე: **შეგუბებითი ანუ მექანიკური ს.** ვითარდება მაშინ, როდესაც ნაღვლის გამოსვლა სანაღვლე გზებიდან შეფერხებულია სანაღვლე გზების კენჭით დაცობის, შეშუპებული ლორწოვანას ან სიმსივნის ზეწოლის შედეგად და ბილირუბინი ღვიძლიდან პირდაპირ სისხლში შეიწოვება. გლუკურონის მჟავასთან შეკავშირებული (კონიუგირებული) ბილირუბინი თირკმლებით გამოიყოფა და შარდს უჭი ლუდის ფერს აძლევს, განავალი გაუფერულებულია; **პარენქიმული** (ჰეპატოცელულარული) ს. ბილირუბინის ღვიძლის უჯრედებიდან სისხლში გადასვლასთან არის დაკავშირებული; ვითარდება მწვავე ან ქრონ. ჰეპატიტის, ღვიძლის ციროზის, თანდაყოლილი ჰიპერბილირუბინემიის დროს; ამ შემთხვევაშიც კონიუგირებული ბილირუბინი თირკმლებით გამოიყოფა; **ჰემოლიზური ს.** ვითარდება ჰემოგლობინიდან ბილირუბინის წარმოქმნის გაძლიერებისას სხვადასხვა ჰემოლიზური ანემიის დროს ერითროციტების დიდი რაოდენობით დაშლის შედეგად. სისხლი შეიცავს თავისუფალ (არაკონიუგირებულ) ბილირუბინს, რ-იც არ გამოიყოფა თირკმლებით და შარდი და განავალი ნორმალური ფერის რჩება.

მკურნალობა: ს-ის გამომწვევი ძირითადი დაავადების მკურნალობა. *ვ. ალადაშვილი.*

სიყრუე, სმენის სრული უქონლობა ან იმ დონემდე დაქვეითება, რომ მეტყველების გარკვევით აღქმა შეუძლებელი ხდება. სრული ს. იშვიათია. დაყრუებულთა უმრავლესობას შერჩენილი აქვს სმენის ნაშთები, რაც მათ საშუალებას აძლევს აღიქვან დიდი სიძლიერის ბგერები, მ. შ. ყურთან ნათქვამი ზოგიერთი ბგერა და ნაცნობი სიტყვა. უფრო ხშირად ს-ის მიზეზია შუა ყურსა და სასმენ ნერვში მიმდინარე პათოლ. პროცესები, რ-ებიც ვითარდება როგორც შუა ყურის ანთების (ოტიტი) გართულება ან ზოგიერთი ინფექციური დაავადების (ცერებროსპინალური მენინგიტი, გრიპი, ყბაყურა, წითელა, ქუნთრუშა და სხვ.) შედეგი. ზოგჯერ ს-ის მიზეზია სმენის პროგრ. დაქვეითება, რ-იც ვითარდება *ოტოსკლეროზის* დროს. ს. შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ხმაურის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ, ზოგიერთი ნივთიერებით (დარიშხანი, ტყვია და სხვ.) მოწამვლამ და სხვ. ს. შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. **თანდაყოლილი ს.** გამოწვეულია გენეტ. ფაქტორების, აგრეთვე ნაყოფის ორგანიზმზე დედის ორგანიზმის ინფექციისა და ინტოქსიკაციის ზემოქმედების შედეგად. თანდაყოლილი და ადრეულ ასაკში შეძენილი ს. ბავშვს საშუალებას არ აძლევს დამოუკიდებლად დაეუფლოს მეტყველებას (იხ. *ყრუმუნჯობა*). უფრო გვიან განვითარებული, ე. წ. **შეძენილი ს-ის** შედეგად იცვლება ხმის მოდულაცია, ჩნდება მეტყველების დეფექტები. სხვა ადამიანებთან ყრუ ადამიანის ურთიერთობას აადვილებს მეტყველების მხედველობითი აღქმა, ხოლო სმენის ნაშთების არსებობისას *სასმენი ხელსაწყოების* გამოყენება. ოტოსკლეროზისა და შუა ყურის ანთებით პროცესებთან დაკავშირებული ს-ის დროს სმენის გაუმჯობესება შეიძლება ქირურგ. ოპერაციით.

სიშავე მცენარისა, მცენარეთა დაავადება, რ-საც იწვევს საპროფიტი და ნახევრად პარაზიტი სოკოები. აზიანებს ხეხილოვან და კენკროვან კულტურებს, ციტრუსებს, დაფნას, ვაზს, თუთას, პურეულ მარცვლოვნებს, ოთახის დეკორ. და სათბურის მცენარეებს, ზოგჯერ ტყის ჯიშებსაც. ფოთოლი, ნაყოფი, ყლორტი იფარება შავი ფიფქით. სიშავის გამომწვევი სოკო ვითარდება ხეზე დასახლ. ფარიანებისა და ბუგრებისაგან (ტილები) გამოყოფილ მოტკბო წვენზე. სოკოს შავი ფიფქი აფერხებს მცენარის ფოტოსინთეზს. ბრძოლის ღონისძიება ითვალისწინებს ფარიანებისა და ბუგრების მოსპობას. *შ. ძაგნიძე.*


სიჩუანი, პროვინცია სამხრ.-დას. ჩინეთში, მდ. იანძის შუა დინებაში. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს *სიჩუანის ქვაბულს*, პროვ. დას. ნახევარში *ჩინეთ-ტიბეტის მთებია*. ფართ. 560 ათ. *კმ*². მოსახლ. 99,7 მლნ. კაცი (1982). ადმ. ც. — ქ. ჩენდუ. მნიშვნელოვანი ქ-ებია: ჩუნცინი, ჩენდუ, ძიგუნი, ლუჯოუ, უტუნციაო, ნეიძიანი, იბინი, ნანჭუნი, ვანსიანი.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. სახნავის დაახლ. 80% უჭირავს სასურსათო კულტურებს, 10%—ტექ. კულტურებს. მოჰყავთ უმთავრესად ბრინჯი, აგრეთვე სიმინდი, ხორბალი, გაოლიანი, ქერი, პარკოსნები, ბატატი. აშენებენ ტუნგის ხეს, რაფსს, შაქრის ლერწამს, ციტრუსებს, ჩაის ბუჩქს, ბამბას, თამბაქოს. განვითარებულია მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მელორეობა, ბეფრინველეობა. ბრინჯის, ბატატის, რაფსის, ტუნგის კაკლის მოსავლით, მუშა საქონლის, ღორისა და ფრინველის სულადობით ს. I ადგილზეა ჩინეთში. იღებენ ქვანახშირს, რკინის მადანს, ქვამარილს, ფოსფატებს, აზბესტს, ნავთობსა და აირს. არის შავი მეტალურგია, მანქანათსაშ., ქიმ., საფეიქრო, ხე-ტყის, კვების მრეწვ., ხელოსნურ-შინამრეწველური საწარმოები. მრეწვ. თავმოყრილია ქ-ების ჩუნცინ—ჩენდუ—იბინის სამკუთხედში. აგებულია ჰესი მდ. ლუნსიხეზე. სანაოსნოა მდ. იანძი და მისი შენაკადები.

უძველეს დროს ს-ის ტერიტ. დასახლებული იყო მიაოსა და ტიბეტურ-ბირმული ტომებით. ძვ. წ. I ათასწლეულში აქ ჩინელებმა დაიწყეს დასახლება. ძვ. წ. 316 ს. დაიპყრო ჩინ. სამეფო ცინმა. XIII ს. დასასრ. შეიქმნა ს-ის პროვინცია. გლეხთა ომის დროს, 1626—45, ს-ის ტერიტორიაზე იბრძოდა აჯანყებულთა დიდი ჯგუფი ჯან სიანჯუნის ხელმძღვანელობით, 1863 ს-ის ტერიტორიაზე შეიქმნა ტაიპინელთა ჯარის დიდი დაჯგუფება შიდაკაის მეთაურობით. 1911 სექტ. ჩენდუსა და ს-ის სხვა ადგილებში მოეწყო მოსახლ. შეიარაღებული გამოსვლები მანჯურიის ცინის მთავრობის წინააღმდეგ (იხ. *სიჩუანის აჯანყება 1911*). 1933—34 ს-ის ზოგიერთ რ-ნში შეიქმნა საბჭ. მოძრაობისა და ჩინ. წითელი არმიის საყრდენი ბაზები. ანტიიაპ. ომის (1937—45) დროს ს. იყო გომინდანის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზა ზურგში, ხოლო ქ. ჩუნცინი — მისი დროებითი რეზიდენცია. 1949 ჩინ. სახ.-განმათ. არმიამ ს. გომინდანის ხელისუფლებისაგან გაათავისუფლა, 1955 ს-ს შეუერთდა სიკანის პროვ. ტერიტორია (ჩამდოს ოლქის გარდა).

სიჩუანის აჯანყება 1911, სახალხო აჯანყება სიჩუანის პროვინციაში 1911 სექტ. იფეთქა მთავრობის საწინააღმდეგო და ანტიიმპერიალ. მოძრაობის ვითარებაში, რ-იც გაიშალა ჩინეთში 1911 ზაფხულში ცინის მთავრობის მიერ აშშ-ის, დიდი ბრიტ., საფრ. და გერმ. საბანკო კონსორციუმისაგან კაბალური სესხის აღებასთან დაკავშირებით და სხვ. 24 აგვ. ქ. ჩენდუში შედგა 10-ათასიანი მიტინგი, რ-მაც მოუწოდა პროვინციის მოსახლეობას არ გადაეხადა გადასახადები, შეეწყვიტა ვაჭრობა და მეცადინეობა სკოლებში. 7 სექტ. მთავრობამ მშვიდობიან დემონსტრაციას ცეცხლი დაუშინა. ამის საპასუხოდ ჩენდუს გარეუბანში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. 25 და 26 სექტ. აჯანყებულებმა დაიკავეს ქ-ები ჟუნსიანი, სინძინი და შუანლიუ, ცინის მთავრობამ ს. ა. ჩაახშო.

სიჩუანის ქვაბული, წითელი აუზი, მთათაშორისი ქვაბული ჩინეთში,



სიჩქარე. $\Delta r = r - r_0$ არის წერტილის გადაადგილების ვექტორი $\Delta t = t - t_0$ დროის შუალედში, $s(t)$ — გზის სიგრძე. საშუალო სიჩქარე $v_{საშ} = \frac{\Delta r}{\Delta t}$. იგი მიმართულია ისე, როგორც Δr ვექტორი, ე. ი. ტრაექტორიის სათანადო უბნის მომჭიმი ქორდის გასწვრივ. მყისი სიჩქარე უდრის r რადიუს-ვექტორის პირველ წარმოებულს დროით: $v = \lim_{\Delta t \to 0} \frac{\Delta r}{\Delta t} = \frac{dr}{dt}$. ეს ვექტორი მიმართულია ტრაექტორიის მხების გასწვრივ ისე, როგორც $dr = vdt$ ვექტორი. ამატომ სიჩქარის ვექტორის მოდული უდრის გზის სიგრძის პირველ წარმოებულს დროით: $v = |v| = ds/dt$.

მდ. იანბის შუა დინებაში. დას-ით ესაზღვრება ჩინეთ-ტიბეტის მთები, ჩრდ-ით—ცენტრალური და დაბაშანის ქედები, სამხრ-ით — გუიჯოუს მთიანეთი. ფართ. დაახლ. 002 ათ. კმ², აგებულია იურული და ცარცული მოწითალო ქვიშაქვებით, რის გამოც ეწოდა წითელი აუზი. სიმაღლე 400—500 მ, პერიფერიებზე — 1000 მ-მდე. ჭარბობს ბორცვიანი რელიეფი. კალთები ხელოვნურად არის დატერასებული. ჰავა სუბტროპ. მუსონურია. იცის თბილი ზამთარი და ნოტიო ზაფხული. ნალექები 800—1750 მმ წელიწადში. სავეგეტაციო პერიოდი მთელი წელი გრძელდება. მდ-ებს იყენებენ სარწყავად. მთის ქვედა სარტყელი შემოსილია მუხის, კასტანოფსისის ტყეებით, 2000 მ-ზე მაღლა შერეული ტყე და სოჭნარია. ს. ძ-ში არის ქ-ები ჩუნცინი, ჩენდუ.

სიჩქარე მ ე ქ ა ნ ი კ ა შ ი, ვექტორული სიდიდე, რ-იც ახასიათებს წერტილის გადაადგილებას; განისაზღვრება როგორც r რადიუს-ვექტორის პირველი წარმოებული t დროით. $v = dr/dt$. ს. არის წერტილის მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი კინემატიკური მახასიათებელი, რ-იც თანაბარი მოძრაობისას რიცხობრივად უდრის დროის ერთეულში გავლილ გზას: $v = s/t$, სადაც s არის გავლილი გზა. ზოგად შემთხვევაში. $v = ds/dt$. ს-ის ვექტორი მიმართულია წერტილის ტრაექტორიის მხების გასწვრივ (იხ. ნახ). თუ წერტილის მოძრაობა მოცემულია ისეთი განტოლებებით, რ-ებიც გამოსახავენ მისი დეკარტის x, y, z კოორდინატების დამოკიდებულებას t დროზე, მაშინ $v = \sqrt{v_x^2 + v_y^2 + v_z^2}$, სადაც $v_x = dx/dt$, $v_y = dy/dt$, $v_z = dz/dt$, ხოლო იმ კუთხის კოსინუსები, რ-ებსაც ს-ის ვექტორი ადგენს კოორდინატთა ღერძებთან, შესაბამისად უდრის v_x/v, v_y/v, v_z/v. ს-ის ცვლილება დროის ერთეულში არის *აჩქარება*. ს-ის განზომილებაა LT^{-1}, მისი ერთეულებია: *სმ/წმ* (CGS), *მ/წმ* (SI), *კმ/სთ* და სხვ.

სიჩქარეთა კოლოფი, იხ. *გადაცემათა კოლოფი*.

სიცივეგამძლეობა მ ც ე ნ ა რ ე თ ა, მცენარეთა გამძლეობის უნარი დაბალი დადებითი ტემპერატურისადმი (1-დან 10°C-მდე). ს. უნდა განვასხვავოთ *ყინვაგამძლეობისაგან* — უარყოფითი ტემპ-რისადმი გამძლეობისაგან. სიცივის დაუზიანებლად გადატანის უნარი აქვთ ზომიერი და, მით უმეტეს, ცივი ჰავის მცენარეებს. *ხთობოს მოყვარული მცენარეები* დაბალ დადებით ტემპ-რაზეც იღუპებიან. სიცივისას მცენარის უჯრედების დაღუპვის მიზეზია მათი ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, პირველ რიგში, ფერმენტული სისტემის მოშლა. მცენარეთა ს-ის ამაღლება შეიძლება ჩითილების გამოყვანით დაბალი ტემპ-რის და ძლიერი განათების პირობებში, ნიადაგში კალიუმიანი სასუქების შეტანით, თესლის დალბობით მიკროელემენტებიან ხსნარში და სხვ. მეტად ეფექტურია გაღივებული თესლის სიცივით გამოწრთობის მეთოდი. მისი წყალობით შესაძლებელი გახდა პამიდვრის, კიტრისა და სხვ. სამხრეთული კულტურების წაწევა ჩრდ-კენ.

ზოგჯერ მცენარეთა ს-ში გულისხმობენ მცენარეთა გამძლეობას როგორც დაბალი დადებითი, ისე უარყოფითი ტემპერატურისადმი. *ჯ. ჩიკვაძე.*

სიცივის პოლუსი, ადგილი მოცემულ ნახევარსფეროზე ან მთელ დედამიწაზე, სადაც ჰაერის მიწისპირა ფენის ყველაზე დაბალი ტემპ-რაა. ჩრდ. ნახევარსფეროზე ს. პ-ები მდებარეობს იაკუტიაში (აბსოლ. მინ. ტემპ-რა — 68°C) და გრენლანდიის ყინულოვან ფარზე (აბსოლ. მინ. ტემპ-რა —65°C-ზე დაბალი); სამხრ. ნახევარსფეროზე—აღმ. ანტარქტიდაში, საბჭ. სადგურ ვოსტოკზე (3500 მ სიმაღლეზე აღნიშნულია — 88,3°C, დედამიწაზე რეგისტრირებული ყველაზე დაბალი ტემპ-რა).

სიცილია (Sicilia), უდიდესი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, აპენინის ნ.-კ-ის სამხრ-ით. ეკუთვნის იტალიას. ფართ. 25460 კმ². ნაპირები უმთავრესად ციცაბოა და ნაკლებ შეჭრილ-შემოჭრილი. ზედაპირი უმთავრესად მთაგორიანია. ჩრდ-ით გადაჭიმულია ღრმად დასერილი ქედები და ცალკეული მასივები, რ-ებიც სტრუქტურულად აპენინის ნ.-კ-ის მთების გაგრძელებაა. უმთავრესად აგებულია გნაისებით, კრისტ. ფიქლებით, კირქვებითა და დოლომიტებით. ს-ის ცენტრ. ნაწილი უჭირავს თიხებით, ფიქლებითა და მერგელებით აგებულ დაბალმთიანეთსა და ბორცვიან მაღლობს. სამხრ.-აღმ. ნაწილში არის იბლეის დაკარსტული პლატო, ხოლო აღმ. ნაწილში მდებარეობს ევრ. უმაღლესი მოქმედი ვულკანი ეტნა (3340 მ). ხშირია მიწისძვრა. წიაღისეულიდან არის გოგირდი, ნავთობი და აირი. ჰავა სუბტროპიკულია, ხმელთაშუაზღვისა. საშუალო ივლ. 29—28°C; მთაში, შესაბამისად, 4—8°C და 20—24°C. ნალექები ვაკეზე 400—600 მმ, მთაში 1200—1400 მმ წელიწადში. ზაფხული გვალვიანია, განვითარებულია ყავისფერი და წითელმიწა ნიადაგები. ჩრდ-ით ჭარბობს ხმელთაშუა ზღვის მაკვისის ტიპის ბუჩქოვანი მცენარეულობა, სამხრ-ით — გარიგა, შიგა რ-ნებში — სტეპი. ტყეს უჭირავს ტერიტ. 4%-ზე ნაკლები. 1300—1500 მ სიმაღლემდე ხარობს ქვამუხა და კოპრის მუხა, წაბლი, რცხილა, უფრო ზევით — წიფელი, 2100 მ-ზე მაღლა (ეტნაზე) — ფიჭვნარი.

სიცილია (Sicilia), ავტონომიური ოლქი იტალიაში, მოიცავს კ. სიცილიას და მის ახლომდებარე ლიპარის, ეგადის, პელაგიის და პანტელერიის კ-ებს. ად. მინისტრაციულად ს. იყოფა აგრიჯენტოს, კალტანისეტის, კატანიის, მესინის, პალერმოს, რაგუზის, სირაკუზის, ტრაპანის, ენის პროვინციებად. ფართ. 25,7 ათ. კმ². მოსახლ. დაახლ. 5 მლნ. კაცი (1980). მთავარი ქალაქი — პალერმო. ოლქის ბუნების შესახებ იხ. სტ. *სიცილია*, კუნძული.


ეკონომიკურად ს. იტალ. ერთ-ერთი ნაკლებგანვითარებული ოლქია. კუნძულის საერთო სას.-სამ. ფართობის დაახლ. 57% უჭირავს სახნავ მიწას, 23% — ბაღებს, ვენახებსა და ზეთისხილის კორომებს, 11% — მდელოებს, 8% — ტყეს. სასაქონლო პროდუქციის ნახევარზე მეტს იძლევა მებაღეობა. ს. ლიმონის მოყვანის მთავარი რ-ნია. მოჰყავთ ხორბალი, პარკოსნები, საადრეო კარტოფილი, არტიშოკი, სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები და სხვ. განვითარებულია მეცხოველეობა. თევზჭერა.

ტრად. დარგებია გოგირდის, საშენი ქვის, ზღვის მარილის მოპოვება, კვების, ხის დასამუშ., სამკერვალო, გემთსაშენი მრეწველობა. ახ. დარგებიდან აღსანიშნავია კალიუმის მარილების, ნავთობის, ბუნებრივი აირის მოპოვება, ნავთობგადამუშავება, ქიმ., ცემენტის, ელექტროტექ. და რადიოელექტრონული მრეწველობა.

ს-ის მთავარი სატრანსპ. კვანძია პალერმო — ნავსადგური, საჰაერო მიმოსვლის, სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. სხვა ნავსადგურებია: აუგუსტა, ჯელა, მილაცო. მთავარი ტვირთია ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ს. აპენინის ნ.-კ-ს უკავშირდება ბორნით (მესინა—რეჯო-დი-კალაბრია).

ძველად კ. სიცილიაზე სიკანები და სიკულები ცხოვრობდნენ. დროთა განმავლობაში ს. ფინიკიელთა და ბერძენთა კოლონიზაციის (ძვ. წ. VIII ს.), ათენის, კართაგენის (ძვ. წ. V ს-იდან) და რომის ექსპანსიის ობიექტი იყო. ძვ. წ. 241 რომაელთა პირველ პროვინციად იქცა. შემდეგში ს-ში ვანდალები (V ს.), *ოსტგუთები* (VI ს.), ბიზანტია (535-იდან) და არაბები (IX ს.) ბატონობდნენ, XI ს-ში დაიპყრეს ნორმანებმა. *ჯვაროსნული ლაშქრობების* (1096—1270) დროს ეკონ. აღმავლობას განიცდიდა. XII—XIII სს-ში კ. სიცილია სიცილიის სამეფოს ნაწილი გახდა, სადაც 1266—68 შარლ I (ანჟუს დინასტია) გამეფდა, 1282—1302 ს. *არაგონმა* დაიპყრო. 1713-იდან მართავდნენ სავოიის ჰერცოგები, 1720-იდან — ავსტრიის მეფეები, 1735—1860 — ნეაპოლის ბურბონები. XIX ს-ში ს. იტალიის რევ. მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპარეზი იყო (1820 და 1848 ბურჟ. რევოლუციები), 1860 ს-ის სახ. ავჯანყებას დაეხმარა ჯ. *გარიბალდი*, ს. განთავისუფლდა ბურბონთა ხელისუფლებისაგან და 1861 იტალ. გაერთ. სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. XIX ს. ბოლოს ს-ში მოეწყო სას.-სამ. პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის აჯანყებები. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს იყო მოკავშირეთა პლაცდარმი აპენინებზე შეტევის განსახორციელებლად. ს-ის ეკონომიკა კვლავ ჩამორჩენილი აგრ. ხასიათისაა, რაც ხელს უწყობს *მაფიის* არსებობას. 1947 ს მ საოლქო ავტონ. უფლებები მიიღო.

ს. ძვ. ბერძნ. ხელოვნ. ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო. შემორჩენილია დორიული ტაძრების ნაშთები აგრიჯენტოში (ძვ. წ. VI—V სს.), სეგესტაში (ძვ. წ. V ს. II ნახ.), სელინუნტში (ძვ. წ. VI—V სს.). ძვ. რომის ხელოვნ. ძეგლთაგან გამოირჩევა რომაული ვილის პიაცა-არმერინის მოზაიკა (IV ს.). ს-ის თვითმყოფადი მხატვრული სკოლა XII ს-ში ჩამოყალიბდა. ამ ხანებში ბიზანტ. და ადგილ. ოსტატები ქმნიდნენ მოზაიკით შემკულ ნაგებობებს, რ-ებშიც შერწყმული იყო რომანული, ბიზანტ. და მავრიტანული ხელოვნ. ნიშნები [ტაძარი ჩეფალუში (1131-იდან), პალაცო რეალე პალატინის კაპელითურთ (XI—XII სს.), მარტორანის ეკლესია (1143) პალერმოში, ტაძარი მონრეალში (1174—89)]. კვატროჩენტოს პერიოდში ს-ში მუშაობდა *ანტონელლო და მესინა*. ს-ის ბაროკოს სტილის ნაგებობანი გამოირჩევა უცნაური და თავისებური ფორმებით (XVII ს-ში — გ. გვარინის ნაგებობანი მესინაში; XVIII ს-ში — იეზუიტთა ეკლესიები). XIX—XX სს-ში ს-ის ხელოვნება ვითარდება იტალ. მხატვრულ კულტურასთან ერთობლივად. ხუროთმოძღვართაგან აღსანიშნავია ჯ. ბ. და ე. ბაზილეები.



სიცილია. პალატინის კაპელა. პალერმო. XI—XII სს. ინტერიერი.

სიცილიანა (იტალ. siciliana — სიცილიური), ჯვარედინად გარითმული რვატაეპიანი სტროფი. აღმოცენდა იტალ. ხალხ. პოეზიაში და იქიდან გავრცელდა

სხვადასხვა ხალხის წყობილსიტყვაობაში. ნიმუში:

შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი,
სხივქეშე თრთოდა შენი ნაზი ტანი.
და გფარავდა მწვანე სუროსფერი
ცაცხვისა და ალვის ხეივანი.
შენს ღიმილში მწუხარების ჩრერი
მოულოდნელ სიყვარულად ვცანი,
როგორც მთვარის შუქი ალმაცერი,
როგორც სიოს უცხო მიმოხვრანი
(გ. ტაბიძე). *რ. ბერიძე.*

„სიცილიის მწუხრი“, სახალხო აჯანყება კ. სიცილიაზე; დაიწყო 1282 წ. 31 მარტს პალერმოში და აპრილში მთელ კუნძულს მოედო. აჯანყება მიმართული იყო ფრანგი ფეოდალების წინააღმდეგ, რ-თაც შარლ I ანჟუელისაგან დიდი პრივილეგიები და მიწები მიიღეს. გვიანდ. ლეგენდის თანახმად, აჯანყების დაწყების ნიშანი იყო მწუხრის ზარები, აქედან წარმოდგა მისი სახელწოდებაც. აჯანყების მეთაურობა სიცილიის წარჩინებულებმა იგდეს ხელთ, მათ მოიწვიეს არაგონის მეფე პედრო III, რ-მაც მალე მთელი კუნძული დაიპყრო. „ს. მ-ის“ შედეგად სიცილია ჩამოშორდა ანჟუს დინასტიის სამფლობელოებს, თუმცა ანჟუს დინასტიის წარმომადგენლები 1302-მდე იბრძოდნენ მის დასაბრუნებლად.

სიცილიის ოპერაცია 1943, II მსოფლიო ომის (1939—45) დროს იტალიის კამპანიის (1943—45) დასაწყისში ინგლ.-ამერ. ჯარების საბრძოლო მოქმედება 10 ივლ.—17 აგვ. კ. სიცილიის ხელში ჩასაგდებად. სიცილიას იცავდა იტალ. მე-6 არმია (9 იტალ. და 4 გერმ. დივიზია, დაახლ. 600 თვითმფრინავი, სარდალი გენ ა. გუზონი). ს. ო-ს ახორციელებდა არმიათა მე-15 ჯგუფი (სარდალი ჰ. ალექსანდერი) ინგლ. მე-8 (სარდალი გენ. ბ. მონტგომერი) და ამერ. მე-7 (სარდალი გენ.-ლ. ჯ. პატონი) არმიების შემადგენლობით, ფლოტისა და ავიაციის მსხვილ ძალებთან ერთად გენ. დ. ეიზენჰაუერის საერთო სარდლობით. ოპერაციის I ეტაპზე 10 ივლ. ინგლ.-ამერ. ჯარები ხმელთაშუა ზღვიდან სადესანტო გემებით გადასხეს კუნძულის სამხრ.-აღმ. ნაწილში. იტალ. ჯარებმა უბრძოლველად დაჯარეს იარაღი. 14 ივლ. მოკავშირეთა ჯარებმა, რ-ებსაც უმნიშვნელო წინააღმდეგობა გაუწიეს გერმ. მცირერიცხოვანმა ნაწილებმა, დაამთავრეს კუნძულზე გადასვლა და ხელთ იგდეს პლაცდარმი. ოპერაციის II ეტაპზე ინგლ.-ამერ. ჯარებმა კუნძული მთლიანად გაათავისუფლეს.

სიცილიის სამეფო, იხ. *ორივე სიცილიის სამეფო.*

სიცოცხლე, მატერიის არსებობის უმაღლესი ფორმა, რ-იც წარმოიშვა გარკვეულ პირობებში სამყაროს განვითარების პროცესში. არაცოცხალთაგან განსხვავებით, ცოცხალ არსებათა უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია *ნივთიერებათა ცვლა*, რ-იც განაპირობებს ცოცხალ არსებათა ყველა სხვა ძირითად თვისებას — გამრავლებას, თავისი ნიშან-თვისებების გადაცემას შთამომავლობაში, ზრდას, განვითარებას, ნაირგვარ მოძრაობას, გაღიზიანებადობას, შედგენილობისა და ფუნქციების რეგულაციის უნარს, შეგუებულობას გარემოსთან და ა. შ. ამასთანავე, ცოცხლისა და არაცოცხლის გამიჯვნა ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგ., ცნობილია, რომ ვირუსები ცხოველმოქმედების უნარს მხოლოდ ცოცხალ უჯრედში მოხვედრისას ამჟღავნებენ, უჯრედის გარეშე კი სრულიად ინერტულები არიან, არც ნივთიერებათა ცვლა აქვთ და არც მრავლდებიან. ამიტომ მათი მიკუთვნება ან არაცოცხალი, ან ცოცხალი არსებებისათვის გაძნელებულია. ს-ის ყველაზე ზუსტი განსაზღვრა მოგვცა ფ. ენგელსმა 100-ზე მეტი წლის წინათ: „ს ი ც ო ც ხ ლ ე ც ი ლ ო ვ ა ნ ს ხ ე უ ლ თ ა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს წ ე ს ი ა, რ-ის არსებით მომენტს შეადგენს ნივთიერებათა განუწყვეტელი ცვლა გარემო ბუნებასთან და ნივთიერებათა ცვლის შეწყვეტასთან ერთად სიცოცხლეც წყდება, რაც ცილის დაშლას იწვევს (ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 320). საყურადღებოა, რომ იმ დროისათვის ცილის ბუნება და საერთოდ ტერმ. „ცილა“ არ იყო სავსებით გარკვეული, იგი გაგივებული იყო საერთოდ პროტოპლაზმის ცნებასთან. სადღეისოდ ცნობილია, რომ ყოველგვარი ცოცხალი არსება, სხვა ორგ. და არაორგ. ნივთიერებების გარდა უეჭველად შეიცავს ცილებს და *ნუკლეინის მჟავებს*. ენგელსს თვითონვე კარგად ესმოდა თავისი განსაზღვრის არასისრულე და დასძენდა, რომ იგი მარტივია და ზოგადი, რომ ამომწურავი განმარტებისათვის საჭირო იქნებოდა მასში ასახულიყო ს-ის გამოვლინების ყოველგვარი ფორმა უმდაბლესიდან უმაღლესამდე.

ჩ. დარვინის მიხედვით ს-ის ყოველგვარი ფორმის საფუძველია ზრდა, თავისი მსგავსის წარმოშობისა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შთამომავლობაში მემკვიდრეობით გადაცემისა და აგრეთვე ცვალებადობის უნარი. ვ. ენგელგარდტს მიაჩნია, რომ თავისი მსგავსის წარმოშობის უნარი ცოცხალის უმთავრესი თვისებაა, რ-იც ამჟამად შეიძლება გამოვსახოთ ქიმ. ცნებათა ტერმინებში მოლეკულების დონეზე. ცოცხლის მეორე თვისება იმ ნიშნების მრავალგვარობაა, რ-ებიც შეიძინება ცოცხალ არსებათა შემადგენელი სტრუქტურების ცვალებადობის გამო. ორივე დასახელებული თვისება დაკავშირებულია ცოცხლის შემადგენელი განსაკუთრებული სახის ბიოპოლიმერებთან— დეზოქსირიბონუკლეინის მჟავასა (დნმ) და რიბონუკლეინის მჟავასთან (რნმ). ამ ე. წ. „მემკვიდრულობის ნივთიერებების“ რეპროდუქციასა და ფუნქციონირებაში მონაწილეობენ სპეციფ. ცილა-ფერმენტები, ამრიგად, ცოცხალია არა ერთი რომელიმე ნივთიერება — ცილა, დნმ ან რნმ, არამედ მათი სისტემა მთლიანად. ს-ის მოვლენას 3 წყარო აქვს: ნივთიერებანი, ენერგია და ინფორმაცია. ინფორმაცია კოდირებულია ნუკლეინის მჟავებში, ინფორმაციის დეკოდირების საბოლოო შედეგია ნაირგვარი შენებისა და ფუნქციის ცილის, მ. შ. ფერმენტების მოლეკულების წარმოქმნა. ს. შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ ფიზ. და ქიმ. პირობებში (ტემპ-რა, წყალი, ნაირგვარი მარილები და ა. შ.). ამასთან, სასიცოცხლო პროცესების შეწყვეტა ყოველთვის არ იწვევს ს-ის უნარიანობის საბოლოო დაკარგვას. მაგ., თუ გამომშრალ თესლს ან დაბალ ტემპ-რაზე გაყინულ უმცირეს ორგანიზმს ნორმალურ პირობებში დავაბრუნებთ ისე, რომ სტრუქტურები არ დაუზიანდეთ, მათ ცხოველუნარიანობა აღუდგებათ. ს. თვისებრივად დიდად სჭარბობს მატერიის არსებობის სხვა ფორმებს შემადგენელ ქიმ. კომპონენტთა მრავალგვარობით, სირთულით და გარდაქმნათა დინამიკით; მისი სტრუქტურები და პროცესები გამოირჩევა კომპაქტურობით, უაღრესად მაღალი მოწესრიგებულობით სივრცესა და დროში, ენერგეტ. ეკონომიურობით. ამასთან, ცოცხალი სისტემები ღია სისტემებია, ისინი ცვლიან გარემოსთან ენერგიას, ნივთიერებებსა და ინფორმაციას.

ს., რ-იც დედამიწაზე 1,5—2 მლრდ. წლის წინათ წარმოშობილა (იხ. *სიცოცხლის წარმოშობა*), სადღეისოდ უაღრესად დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. მარტო მცენარეთა სახეობების რაოდენობა ნახევარ მილიონს აღწევს, ხოლო ცხოველებისა — მილიონნახევარსაც სჭარბობს; დიდია მიკროორგანიზმთა ნაირგვარობაც. ყოველ ორგანიზმს არსებობა შეუძლია მხოლოდ გარკვეულ გარემოში, ე. ი. სხვა ორგანიზმებთან და არაცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობასა და კავშირში. ს-მ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი პლანეტის განვითარებაზე, კერძოდ, მნიშვნელოვნად შეცვალა მისი გარსები. ევოლ. პროცესში ორგანიზმთა გამრავალფეროვნებასა და სრულყოფასთან ერთად დიდდებოდა მათი გავრცელების არეალი, მატულობდა მათი როლი ნივთიერებათა და ენერგიის გადანაწილებაში დედამიწაზე, აგრეთვე მის ატმოსფეროსა და წყალში. მცენარეების წარმოშობამ, რ-თაც არაორგ. ნივთიერებებიდან ორგ. ნივთიერებების წარმოქმნის უნარი აქვთ, ბირფესვიანად შეცვალა ატმოსფეროს შედგენილობა და მთლიანად პლანეტის ფიზ. და ქიმ. თავისებურებანი. მანამდე ატმოსფეროში ძირითადად ნახშირორჟანგი და ალბათ მეთანი შედიოდა, ძალიან მცირე იყო ჟანგბადი. მცენარეებმა, რ-ებიც გამოყოფენ ნახშირორჟანგს ორგ. ნაერთთა შესაქმნელად, გამდიდრეს ატმოსფერო ჟანგბადით, რ-იც აღმოჩნდა არა მარტო აქტ. ქიმ. აგენტი, არამედ *ოზონის* წყაროც, ნაერთისა, რ-იც გზას ულობავს მოკლე ულტრაიისფერ სხივებს დედამიწის ზედაპირისაკენ („ოზონის ეკრანი“). ამასთანავე, საუკუნეების განმავლობაში მცენარეებში დაგროვილმა ნახშირორჟანგმა დედამიწის ქერქში წარმოქმნა ენერგიის უზარმაზარი მარაგი ორგ. ნაერთების დანალექების სახით (ქვანახშირი, ტორფი). ს-ის შემდგომ განვითარებას მოჰყვა მსოფლიო ოკეანეში დანალექი ქანების წარმოქმნა, რ-იც შედგება ზღვის ორგანიზმების ჩონჩხებისა და სხვა ნარჩენებისაგან.

დღეს ჩვენს პლანეტაზე ს. გავრცელებულია ატმოსფეროს ქვედა შრეში, დედამიწის ქერქის ზედა შრესა და წყალსატევებში მთელ სიღრმეზე. ეს შრეები ერთად წარმოადგენს პლანეტის განსაკუთრებულ გარსს — ბიოსფეროს.

ხანგრძლივი ევოლ. განმავლობაში რთულდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ორგანიზმებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები, ამ პროცესთა რეგულაციის მექანიზმები, შეგუებულობანი გარემო პირობებთან. ამ გარემოებამ თავისუფლად მოძრავ ცხოველებში განაპირობა ცენტრ. ნერვული სისტემის განვითარება. საზ. შრომის გავლენით ადამიანის წინაპრებში წარმოიქმნა *უმაღლესი ნერვული მოქმედების* ყველაზე სრულყოფილი ფორმა და ამით შეიქმნა წანამძღვრები ს-ის გადასვლისა ახ. სოც. დონეზე, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის და თვისებრივად განსხვავდება სხვა ბიოლ. ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ს-ის ფორმებისაგან. *დ. ჯორბაძე.*

სიცოცხლიერება ფიტოცენოლოგიაში, მცენარის პოპულაციის მოთხოვნილებებთან კონკრეტული ბიოცენოზის პირობების შესაბამისობის საზომი (მაჩვენებელი). ს-ის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ინდივიდუმების ოპტიმალური რაოდენობა, მათი უნარი მოცემულ პირობებში განვითარების სრული ციკლის გავლისა, წლიური ნაზარდის სიდიდე და ა. შ. ს-ს ჩვეულებრივ აფასებენ 3—5-ბალიანი სკალით.

„სიცოცხლის ზეა“, ლადოგის ტბაზე გამავალი ერთადერთი სამხედრო—სტრატეგიული სატრანსპორტო მაგისტრალი, რ-იც 1941 სექტ-იდან 1943 მარტამდე აკავშირებდა გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ ბლოკირებულ ლენინგრადს ქვეყნის ზურგთან დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. „ს. გ-ი“ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ლენინგრ. დაცვაში. „ს. გ-ით“ ხდებოდა მოსახლ. და ფ-კა-ქნების ევაკუაცია, გადაჰყავდათ მაშველი ჯარი, გადაჰქონდათ საკვები, სათბობი, შეიარაღება, საბრძოლო მასალები. სანავიგაციო პერიოდში მიმოსვლა ხორციელდებოდა წყლის გზით, ზამთარში კი— ყინულის გზით. 1942 ნავთობპროდუქტების მიწოდების მიზნით რეკორდულად მცირე დროში გაიყვანეს 35 *კმ* სიგრძის (მ. შ. 26 *კმ* წყალქვეშ) მილსადენი (ამუ-

შავდა 1942 წ. 16 ივნ.). „ს. გ-ს“ განუწყვეტლივ უშენდა მტერი ცეცხლს. მას იცავდნენ ლადოგის სამხ. ფლოტილია, ლენინგრ. ფრონტისა და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის საჰაერო თავდაცვის ჯარები და ავიაცია, ისინი უზრუნველყოფდნენ გზის შეუფერხებელ მუშაობას.


სიცოცხლის უზრუნველყოფა კოსმონავტიკაში, კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის სიცოცხლისა და საქმიანობის უზრუნველყოფა მისი ფრენის დროს. დედამიწის ატმოსფეროს ზედა შრეები, მით უფრო კოსმ. სივრცე, აგრეთვე პირობები მზის სისტემის პლანეტების ზედაპირზე გამოუსადეგარია მაღალორგანიზებული არსებების (მ. შ. ადამიანის) სიცოცხლისათვის. ამიტომ ადამიანის სიცოცხლე და საქმიანობა კოსმ. სივრცეში შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს კოსმ. ხომალდზე, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე ან საპლანეტო სადგურზე არსებობის ისეთი ხელოვნური გარემოს შექმნით, რ-იც დაახლ. ისეთივეა, როგორც დედამიწაზე, მის *ბიოსფეროში* სიცოცხლის დიაპაზონის ოპტიმალურ არეში. ეს შეეხება როგორც ჰაერის გარემოს — ხომალდის ხელოვნურ ატმოსფეროს, ისე გარემოს იმ ელემენტებს (ფართო გაგებით), რ-ებიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის საკვებად და მისი წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად.

ადამიანის არსებობა დამყარებულია გარემოსთან ნივთიერებისა და ენერგიის უწყვეტ მიმოცვლაზე. საამისო პირობების შექმნას კოსმოსში ემსახურება ს. უ-ის სისტემა (სუს)—ისეთი მოწყობილობების, აგრეგატებისა და ნივთიერებათა მარაგის კომპლექსი, რ-ებიც უზრუნველყოფენ ეკიპაჟის სიცოცხლისა და საქმიანობის აუცილებელ პირობებს. ამ კომპლექსის კერძო სისტემები (ქვესისტემები) უზრუნველყოფს კოსმონავტის კვებას, წყალმიმოცვლას, აირმიმოცვლას, თბოგადაცემას (თერმორეგულირებას) და ა. შ. სუს ორგვარია: კოლექტიური (კოსმ. ხომალდისა და საპლანეტო სადგურისა) და ინდივიდუალური (მაგ., ავტონ., რ-საც სკაფანდრთან ერთად იყენებენ).

უფრო ფართო გაგებით სუს-ს ზოგჯერ მიაკუთვნებენ აგრეთვე ეკიპაჟის ჰიგიენური, საყოფაცხოვრ., კულტ. და ესთეტ. მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო მოწყობილობებსა და საგნებს. კერძო სუს-ები იყოფა არარეგენერაციულად (საკვების, წყლის, ჟანგბადის მარაგის შექმნა) და რეგენერაციულად (ამ ნივთიერებათა რეგენერაცია კოსმონავტებისა თუ კოსმ. ხომალდის სხვა ბინადრების სასიცოცხლო პროდუქტებიდან).

კოსმონავტისათვის აუცილებელ სასიცოცხლო ნივთიერებათა რეგენერაციის საკითხების შესწავლასთან ერთად მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები ნახშირორჟანგიდან და წყლიდან საკვები ნახშირწყლების ხელოვნურ სინთეზთან დაკავშირებით. სუს-ის გაანგარიშებისას ეყრდნობიან ადამიანის მოთხოვნილებას მიიღოს საკვები, წყალი და ჟანგბადი, აგრეთვე გამოყოფილი სასიცოცხლო პროდუქტების რაოდენობას, რაც ერთად შეადგენს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის მატერ. ბალანსს. გარდა ამისა, სუს ითვალისწინებს წყლის მარაგს ტუალეტისათვის, რის გამოც წყალი შეადგენს მთელი ნივთიერებათა მარაგის 60—80%-ს.

პრინციპული მიდგომისა და გადაწყვეტის მრავალსახეობით გამოირჩევა ჟანგბადით უზრუნველყოფის სისტემა. ჟანგბადის ბიოლ. რეგენერაცია შეიძლება განხორციელდეს ფოტოსინთეზის უნარის მქონე ერთუჯრედიანი წყალმცენარეებით, რ-თაგან ყველაზე მეტადაა შესწავლილი *ქლორელა*. გარდა ამისა, წყალმცენარეების ბიომასის ნაწილის გამოყენება შეიძლება ადამიანის საკვებად (რაციონის ცილოვანი ნაწილის 20%-მდე). ჟანგბადის დანაკლისის ანაზღაურებასთან ერთად აუცილებელია ხომალდის სალონიდან ჭარბი ნახშირორჟანგისა და წყლის ორთქლის აცილება. ნახშირორჟანგის აცილება შეიძლება ფიზ. მეთოდებითა (გაყინვა, კონდენსაცია) და ტუტე ქიმ. შთამნთქმელების მეშვეობით. უფრო ეკონომიურია რეგენერირებადი სორბენტების (ცეოლითები, კარბონატები) გამოყენება. ჰაერიდან ჭარბი წყლის ორთქლის აცილება კი ხდება არარეგენერირებადი ქიმ. შთამნთქმელების, რეგენერირებადი სორბენტების (ცეოლითები), აგრეთვე ფიზ. მეთოდების (გაყინვა, კონდენსაცია) მეშვეობით. სარეგენერაციო ნივთიერებით ჟანგბადის გამოყოფა დაკავშირებულია შთანთქმული წყლისა და ნახშირორჟანგის სავსებით განსაზღვრულ რაოდენობასთან (ნახ.). წყლით უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია წყლის მარაგზე. ამერ. კოსმ. ხომალდში „აპოლონი“ სამელ წყალს გამოიმუშავებდნენ აგრეთვე იმ ჟანგბადისა და წყალბადის მარაგიდან, რ-იც „იწვებოდა“ ელექტროქიმ. გენერატორებში (*სათბობის ელემენტებში*) ელექტროენერგიის მისაღებად. შეიძლება შეიქმნას სუს დახურული ეკოლ. სისტემის ტიპისა, რ-იც დამყარებულია შეზღუდული რაოდენობის ნივთიერებების ჩაკეტილ ბიოლ. მიმოცვლაზე. ასეთ სისტემაში ადამიანისათვის საჭირო ნივთიერებები უწყვეტად წარმოიქმნება მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმების სასიცოცხლო პროცესების ხარჯზე. რეგენერაციული სუს ადამიანს აქცევს თავის შემადგენელ ნაწილად, რ-იც უზრუნველყოფს სისტემას საჭირო ნივთიერებით.



სიცოცხლის უზრუნველყოფა კოსმონავტიკაში. ხომალდ-თანამგზავრ „ვოსტოკის“ ჰაერის რეგენერაციისა და კონდიცირების სისტემის პრინციპული სქემა: 1—ვენტილატორი; 2 3, 4—მარეგულირებელი მოწყობილობის მქონე რეგენერატორები; 5,6—საშრობელები; 7,8—ხელით სამართი ონკანები; 9—ავტომატური ონკანი; 10—სითხისა და ჰაერის თბოგადამცემი; 11—რადიატორის შტორი; 12—შემსრულებელი მექანიზმი (შტორის ამძრავი); 13—მაძლიერებელი; 14—ტემპერატურის მავალებელი; 15—ტემპერატურის გადამწოდი; 16—ტენიანობის სიგნალიზატორი და საზომი; 17—წნევის საზომი; 18—ტემპერატურის საზომი; 19—ხელსაწყოთა დაფა; 20, 21, 22, 23—წნევის, ტემპერატურის, ტენიანობის გადამწოდები; 24, 25, 26—O_2-ისა და CO_2-ის აირანალიზატორები; 27—მავნე მინარევების ფილტრები; 28—მტვერსაწინააღმდეგო ფილტრი; 29 — თერმორეგულირების ბლოკი.

სიცოცხლის ფარგლები, პუნებისმეტყველების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა. თეოლოგები და ფილოსოფოსი-იდეალისტები ამტკიცებენ, რომ ს. ფ. სულის საწყისის, „უმაღლესი ინტელექტის“, ღმერთის შემოქმედებითი აქტის შედეგია. ამ მოძღვრების საპირისპიროდ მატერიალისტებს მიაჩნიათ, რომ სიცოცხლე თავისი საწყისით მატერიალურია და წარმოიქმნება ბუნების კანონების თანახმად, თანდათანობით, ბუნებრივი განვითარების გზით. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული მექანისტური მატერიალიზმი სიცოცხლეს მანქანასთან გაიგივებით ხსნიდა. მხოლოდ დიალექტ.-მატერიალ. მიდგომამ დასახა ს. ფ-ის გადაწყვეტის სწორი გზა, რაზედაც მიუთითა ფ. ენგელსმა „ბუნების დიალექტიკაში“.

XX ს. დასაწყისში გავრცელებული ერთი თეორიის მიხედვით, ს. ფ-ს ხსნიდნენ დედამიწაზე სიცოცხლის შემოტანით გარე სამყაროდან (პანსპერმია); მეორე შეხედულების თანახმად, სიცოცხლე ერთეული „ცოცხალი მოლეკულის“ წარმოქმნის შედეგია, მოლეკულისა, რ-შიც მოცემული იყო სიცოცხლის შემდგომი განვითარების სრული გეგმა. ორივე თეორია შორს იდგა ს. ფ-ის პრობლემის მეცნ. გადაწყვეტისაგან. ს. ფ-ის სისტემ. შესწავლა დაიწყო 1924-იდან, როდესაც გამოქვეყნდა ა. *ოპარინის* შრომა „სიცოცხლის წარმოშობა“, რ-შიც პირველად იყო ჩამოყალიბებული დედამიწაზე ს. ფ-ის მეცნ. კონცეფცია, რ-ის თანახმადაც, ს. ფ. არის მატერიის ხანგრძლივი ევოლ. ვით, მეცნიერება და საერთოდ ცნებითი აზროვნება ვერ სწვდება სიცოცხლის მთავარ მახასიათებლებს: შემოქმედებითობას, სწრაფვას, ნებას. სიცოცხლე, როგორც ორგანიზმი, მის განუმეორებელ ქმნადობაში უშუალო შინაგანი ჭვრეტით ანდა აღწერით გაიგება, ცნებებში კი განცდათა რეალობა იკარგება (ამაზე ჯერ კიდევ ი. კანტი, ი. ვ. გოეთე და უფრო გვიან ფ. შელინგი მიუთითებდნენ). ს. ფ-ის უშუალო წყაროა *ნიცშეს* ფილოსოფია. მისი წინამორბედები იყვნენ *კიერკეგორი* და *შოპენჰაუერი*. ს. ფ. ტერმინის სახით გვხვდება ფ. შლეგელის წიგნში — „სიცოცხლის ფილოსოფია“ (1827), რ-იც პეგელის რაციონალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ს. ფ-ის წარმომადგენლები ამოდიან ბიოლოგიის (ა. ბერგსონი) ან ისტორიის (ვ. დილთაი) ანალიზიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კულტურის, შემოქმედების, ღირებულების, ორგანიზმის პრობლემებს, ცდილობენ ყოველი იდეა დაიყვანონ ინდივიდის ან ჯგუფის ინტერესებზე, ძალაუფლებისაკენ სწრაფვაზე. რამდენადაც ყველაფერს ქმნადობას უმორჩილებენ, მათ აქტუალისტებსაც უწოდებენ; ხელახლა შემოაქვთ ბედისწერის ცნება ფილოსოფიაში. გონებას და მეცნიერებას მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობას ანიჭებენ ნებისა და განცდის მიმართ. აღორძინებენ დიდი პიროვნებებისა და მასის თეორიას, რასაც მივყავართ ძალადობის აპოლოგიამდე. ამის გამო ს. ფ. გამოიყენეს ფაშიზმის იდეოლოგებმა. ს. ფ-ის წარმომადგენლები მოითხოვდნენ მეცნიერების რაციონალიზმისაგან და სოციოლოგიის „მარქსისაგან განთავისუფლებას“ (ო. შპენგლერი). 50-იანი წლებიდან ს. ფ., როგორც დამოუკიდებელი მიმართულება, გავლენას კარგავს და ერთვის პერსონალიზმს, ეგზისტენციალიზმს, ფილოს. ანთროპოლოგიას. ს. ფ-ის მიერ უმაღლეს ღირებულებად სიცოცხლის გამოცხადება ადამიანის ცხოვრების დეზორიენტაციას იწვევს.

ლიტ.: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970, გვ. 17—89; Рикерт Г., Философия жизни, П., 1922; Современная буржуазная философия, М., 1972.

გ. თევზაძე.

სიცოცხლის ფარგლები, პუნებისმეტყველების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა. თეოლოგები და ფილოსოფოსი-იდეალისტები ამტკიცებენ, რომ ს. ფ. სულის საწყისის, „უმაღლესი ინტელექტის“, ღმერთის შემოქმედებითი აქტის შედეგია. ამ მოძღვრების საპირისპიროდ მატერიალისტებს მიაჩნიათ, რომ სიცოცხლე თავისი საწყისით მატერიალურია და წარმოიქმნება ბუნების კანონების თანახმად, თანდათანობით, ბუნებრივი განვითარების გზით. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული მექანისტური მატერიალიზმი სიცოცხლეს მანქანასთან გაიგივებით ხსნიდა. მხოლოდ დიალექტ.-მატერიალ. მიდგომამ დასახა ს. ფ-ის გადაწყვეტის სწორი გზა, რაზედაც მიუთითა ფ. ენგელსმა „ბუნების დიალექტიკაში“.

XX ს. დასაწყისში გავრცელებული ერთი თეორიის მიხედვით, ს. ფ-ს ხსნიდნენ დედამიწაზე სიცოცხლის შემოტანით გარე სამყაროდან (პანსპერმია); მეორე შეხედულების თანახმად, სიცოცხლე ერთეული „ცოცხალი მოლეკულის“ წარმოქმნის შედეგია, მოლეკულისა, რ-შიც მოცემული იყო სიცოცხლის შემდგომი განვითარების სრული გეგმა. ორივე თეორია შორს იდგა ს. ფ-ის პრობლემის მეცნ. გადაწყვეტისაგან. ს. ფ-ის სისტემ. შესწავლა დაიწყო 1924-იდან, როდესაც გამოქვეყნდა ა. *ოპარინის* შრომა „სიცოცხლის წარმოშობა“, რ-შიც პირველად იყო ჩამოყალიბებული დედამიწაზე ს. ფ-ის მეცნ. კონცეფცია, რ-ის თანახმადაც, ს. ფ. არის მატერიის ხანგრძლივი ევოლ.

შედეგი. ა. ოპარინმა შეაჯამა არსებული ფაქტობრივი მასალა და ისტ. ასპექტში თანამიმდევრულად წარმოადგინა ორგ. ნაერთთა წარმოქმნა და შემდგომი ევოლუცია, უმარტივესი სტრუქტურების, ენერგეტ. პროცესების და ბიოქიმ. ფუნქციების ჩამოყალიბება, რ-თაც ადგილი ჰქონდა პირველყოფილ დედამიწაზე იმ პერიოდში, როდესაც იწყებოდა ს. წ. დედამიწაზე. როგორც ჯ. ბერნალი აღნიშნავს (1967), ეს თეორია საფუძვლად დაედო თითქმის ყველა თანამედროვე წარმოდგენას ს. წ-ზე.

უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ფაქტობრივი მასალის დაგროვებამ საშუალება მოგვცა ს. წ. განვიხილოთ როგორც ნახშირბადოვანი ნაერთების ევოლუციის შედეგი. თანამედროვე რადიოასტრონ. მონაცემებმა ნახშირბადოვანი ნაერთების არსებობაზე ვარსკვლავთშორის არეში, კომეტების სპექტრების შესწავლამ და მეტეორიტების ქიმ. შედგენილობის გარკვევამ გვიჩვენა, რომ ორგ. ნაერთები წარმოიქმნებოდნენ არა მარტო სიცოცხლის გაჩენამდე, არამედ დედამიწის ჩამოყალიბებაზე ბევრად ადრე. ამრიგად, ორგ. ნაერთები ბიოგენური წარმოშობისაა, ისინი დედამიწის წარმოქმნისთანავე იყვნენ მასზე. უძველესი კემბრიამდელი პერიოდის დანალექების ქიმ. და პალეონტოლ. შესწავლამ, მრავალმა მოდელურმა ცდამ, რ-ებიც იმეორებდნენ დედამიწაზე არსებულ პირობებს, შესაძლო გახადა გაგვეგო, თუ როგორ ხდებოდა ამ ვითარებაში სულ უფრო და უფრო რთული ორგ. ნაერთების, მ. შ. პოლიპეპტიდებისა და პოლინუკლეოტიდების წარმოქმნა. ამგვარად დამტკიცდა, რომ უმარტივესი ნახშირწყალბადების აბიოგენური წარმოქმნა ორგ. ნაერთთა განვითარების პირველი საფეხურია.

ს. წ-ის თეორიაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ა. ოპარინმა და ამერ. მეცნ. ჰ. იურიმ, რ-თაც პირველებმა გამოთქვეს აზრი, რომ დედამიწის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე დედამიწის პირველადი ატმოსფერო აერ-ოვან წყალბადსა და წყლის ორთქლთან ერთად შეიცავდა ნახშირბადისა (მეთანის — CH_4 და ციანის — CN-ის სახით) და აზოტის (ამიაკის — NH_3 სახით) ნაერთებს. აერობული სიცოცხლის ფორმების წარმოშობასთან ერთად ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობა სულ უფრო იზრდებოდა, რის გამოც ის სულ უფრო დამჟანგველ თვისებებს იძენდა. დადგენილია, რომ დედამიწა წარმოიქმნა 4,5 მლრდ. წლის წინათ, სოლო სიცოცხლის პირველი ნიშნები 3—3,5 მლრდ. წლის წინათ გაჩნდა. ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დედამიწაზე არ იყო სიცოცხლე. ამ პერიოდს უწოდებენ ქიმიური ევოლუციის ხანას, რ-ის დროსაც მრავალმხრივი ქიმ. გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნა რთული ორგ. ნაერთები, რ-ებიც პრობიონტებისა და შემდეგ უმარტივესი უჯრედების — პროტოუჯრედების კომპონენტები გახდნენ; ამ უკანასკნელებს უკვე ჰქონდათ სიცოცხლის თვისებები. ამის შემდეგ დაიწყო ბიოლოგიური ევოლუცია.

აბიოგენურ სინთეზზე პირველი გამოკვლევები ჰქონდა ამერ. მეცნ. ს. მილერს (1953), რ-მაც პირველყოფილი ატმოსფეროს შემადგენელი კომპონენტების არეში ელექტრული განმუხტვით მიიღო ამინომჟავები. საბჭ. მეცნიერებმა ა. პასინსკიმ და ტ. პაულოვსკაიამ (1956) დაასაბუთეს ამინომჟავების წარმოქმნის შესაძლებლობა ფორმალდეჰიდისა და ამონიუმის მარილების აირნარევის ულტრაისფერი სხივებით გაშუქებისას. შემდგომში აბიოგენური გზით მიიღეს პურინები, პირიმიდინები, რიბოზა და დეზოქსირიბოზა, ნუკლეინის მჟავების კომპონენტები, აგრეთვე ადენოზინტრიფოსფორის მჟავა (ატფ). აღნიშნული მონაცემებით დამტკიცდა ორგ. ნაერთთა აბიოგენური წარმოქმნის შესაძლებლობა სამყაროში თბური ენერგიის, მაიონიზებელი და ულტრაისფერი გამოსხივებით, ელექტრული განმუხტვით; ამ ენერგიების პირველადი წყაროა ვარსკვლავების გულში მიმდინარე თერმოატომური პროცესები. გეოლ. გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ადრეულ პერიოდში დედამიწაზე განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ნივთიერებათა გადაადგილება წყალთან ერთად, წარმოქმნის ადგილიდან დაგროვებისა და კონცენტრირების არეში. ამ დროს სუბვიტალურ ტერიტორიაზე ორგ. ნივთიერებათა სინთეზთან ერთად ხდებოდა მათი დაშლა, შემდეგ ხელახალი სინთეზი, რაც პრებიონტების მრავალჯერადად წარმოქმნის საშუალებას იძლეოდა. აღნიშნული წარმოდგენა გამორიცხავს სიცოცხლის შემთხვევით წარმოშობის ჰიპოთეზას.

ა. ოპარინისა და მისი თანამშრომლების მიერ ჩატარებულმა ცდებმა ორგ. პოლიმერების წყალხსნარებიდან გამოყოფილი რთული შედგენილობის წვეთოვან წარმონაქმნებზე, ე. წ. კოაცერვატებზე დაამტკიცა, რომ მათ შეუძლიათ შთანთქან მაღალი ენერგიის მქონე ნაერთები და მათ ხარჯზე გაიზარდონ. ამავე დროს ყოველი კოაცერვატი ამჟღავნებს ინდივიდ. თვისებებს მისი ქიმ. შედგენილობისა და სივრცითი ორგანიზაციის შესაბამისად. ერთსა და იმავე ხსნარში ზოგი კოაცერვატი იზრდება, ხოლო ზოგი იშლება ანდა წყვეტს არსებობას, რაც კოაცერვატების ბუნებრივი გადარჩევის შესაძლებლობაზე მიანიშნებს. ს. ფოქსმა და მისმა თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ მიკროსფეროები წარმოიქმნებიან მათ მიერ აბიოგენურად მიღებულ ცილისმაგვარ ნაერთთა კონდენსაციის გზით, რომ ამ ნაერთთა სინთეზის დროს ამინომჟავებიდან წარმოიქმნება გუანინი და ცხიმოვანი მჟავები. ორგ. ნაერთთა დაყოფილფაზოვანი სისტემების წარმოქმნის შესაძლო გზად შეიძლება ჩაითვალოს ზედაპირული აპკებისა და მემბრანების სპონტანური წარმოქმნა (ინგლ. მეცნ. რ. გოულდეიკრი, 1963). ორგანიზმებში ცილებისა და ნუკლეინის მჟავების ფუნქციათა წარმოქმნა და სრულყოფა უნდა მომხდარიყო მათი ბუნებრივი გადარჩევის საფუძველზე, რაც ხორციელდებოდა განვითარებად სისტემებში (პრობიონტებში) და მათგან წარმოშობილ ცოცხალ არსებებში. ხანგრძლივი ევოლ. მანძილზე პრობიონტები ცოცხალ ორგანიზმებად გადაიქცნენ. ის, რაც დედამიწაზე ხდებოდა, შეიძლებოდა სამყაროს სხვა ნაწილშიც მომხდარიყო. ამას ემყარება აზრი, რომ სიცოცხლე უნდა არსებობდეს ჩვენი პლანეტის გარეთაც. მაგრამ სიცოცხლის არსებობის რაიმე სარწმუნო ფაქტი ჯერ არ არის აღმოჩენილი მზის სისტემის პლანეტებზე და არც სამყაროში.

ლიტ.: ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950; *Опарин А. И.*, Происхождение жизни, М., 1924; *მისივე*, Возникновение и начальное развитие жизни, М., 1966; *Руттен М. Г.*, Происхождение жизни (естественным путем), пер. с англ., М., 1973; *Calvin M.*, Chemical evolution, Oxf., 1969; *Lehninger A.*, Biochemistry, N. Y., 1972.

ნ. ნუცუბიძე.

სიცოცხლის ხანგრძლივობა ფიზიკაში, არსებობის საშუალო ხანგრძლივობა (τ): 1. *ატომებისა* და *მოლეკულების* აგზნებული მდგომარეობისა, რ-იც მთავრდება ნაკლებად აგზნებულ ან ძირითად (არააგზნებულ) მდგომარეობაში ნაწილაკების თავისთავადი გადასვლით. ს. ხ. ნაწილაკთა ენერგეტ. დონეების მნიშვნელოვანი მახასიათებელია (ს. ხ. დონე ზე); 2. არასტაბილურ (რადიოაქტიურ) ატომთა ბირთვებისა, აგრეთვე ელემენტარული ნაწილაკებისა. მათი ნებისმიერად დაშლის პერიოდთან $T_{1/2}$ ს. ხ. დაკავშირებულია თანაფარდობით $\tau \approx T_{1/2}/\ln 2$; 3. *კვაზინაწილაკებისა* (ელემენტარული აგზნებებისა) *მყარ სხეულსა* და თხევად *ჰელიუმში*, კერძოდ, ელექტრონებისა და ხვრელებისა *ნახევრად გამტარებში*.

სიცოცხლის ხე, იხ. *ცხოვრების ხე.*

სიცხეგამძლეობა მცენარეთა, სიცხეგამძლეობა მცენარეთა, მცენარეთა გამძლეობის უნარი გადახურებისადმი. ზოგიერთი სახეობის ბაქტერია და ლურჯ-მწვანე წყალმცენარე ცხოვრობს ცხელ წყაროებში, სადაც ტემპ-რა 90°C აღწევს. კლდისა და ნაშალების ლიქენები ხშირად 60—65°C-მდე ხურდება მზეზე. ექსპერიმენტულად დადგენილია მცენარეთა ორგანოების, ძირითადად ფოთლების, მაღალი ტემპ-რისადმი გამძლეობის საზღვრები: ზომიერი სარტყლის ბალახოვან მცენარეთა ფოთლები იღუპებიან 40—50°C-ზე, ფოთოლმცივანი ხეებისა და ბუჩქებისა — დაახლ. 50°C-ზე, სუბტროპ. ხეშეშფოთლიანი ხემცენარეებისა —50—60°C-ზე, ტროპ. ტყის ზედა იარუსის ხეებისა — 45—55°C-ზე და სხვ. ყვავილოვან მცენარეთა შორის ყველაზე სიცხეგამძლეა სუკულენტები (ზოგიერთი კაქტუსი იტანს 55—65°C).

ბუნებრივ პირობებში ფოთლების ტემპრა იშვიათად აღწევს კრიტ. დონეს. ისინი გადახურებას თავიდან იცილებენ ტრანსპირაციის წყალობით. გადახურებისაგან ფოთლებს იცავს აგრეთვე ხშირი შებუსვა, მბრწყინავი ზედაპირი და ა. შ. სუკულენტების განსაკუთრებული ს. აიხსნება მათი ციტოპლაზმის სტრუქტურულ-ფუნქციური თავისებურებებით.

ჯ. ჩიკვაიძე.

სიცხის დამწოვი საშუალებანი, ფარმაკოლოგიური საშუალებანი, რ-თაც აქვთ სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ს. დ. ს-ს განეკუთვნება სალიცილმჟავას (ნატრიუმის სალიცილატი, აცეტილსალიცილმჟავა, სალიცილამიდი, მეთილსალიცილატი), პირაზოლონის (ანტიპირინი, ამიდოპირინი, ანალგინი, ბუტადიონი), ანილინის (ფენაცეტინი, პარაცეტამოლი) წარმოებულები. ფარმაკ. აქტივობის გასაძლიერებლად ს. დ. ს. ხშირად ენიშნებათ ერთმანეთთან ან კოფეინთან კომბინაციაში. ამ ნივთიერებათა სიცხის დამწევი ეფექტი აიხსნება მათი არჩევითი მოქმედებით თერმორეგულაციის ცენტრებზე, ამასთანავე მატულობს სიობოს გაცემა, რაც კანის სისხლძარღვების გაფართოებასთან, საოფლე ჯირკვლების სეკრეციის მომატებასთან და სუნქთვის გახშირებასთანაა დაკავშირებული; ს. დ. ს-ის ტკივილგამაყუჩებელი მექანიზმი არ არის ბოლომდე შესწავლილი; ფიქრობენ, რომ ისინი მოქმედებენ თავის ტვინის ტკივილის შეგრძნების ცენტრებზე. სალიცილატების ანთების საწინააღმდეგო თვისებებს უკავშირებენ ჰიპოფიზზე მასტიმულირებელ გავლენას და *ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის* სეკრეციის გაძლიერებას; მათი გავლენით მცირდება ფერმენტ ჰიალურონიდაზას აქტივობა და ქვეითდება კაპილარების შეღწევადობის უნარი. ს. დ. ს-ის თვისებები განაპირობებენ მათ თერაპიულ ეფექტს თავის, ნევრალგიური, კუნთებისა და სახსრების ტკივილის დროს, აგრეთვე მათ ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას სახსრების მწვავე რევმატიზმის, არარევმატული ართრიტის, ექსუდაციური პლევრიტის და სხვ. დროს. ჩვეულებრივ ს. დ. ს. ენიშნებათ დასაღევად. მათი ხანგრძლივად მიღებისას მოსალოდნელია გართულებები, მაგ., სალიცილატების წარმოებულების მიღებისას— გულისრევა, პირღებინება, ყურების შუილი, კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, ზოგჯერ დაწყლულება; პირაზოლონის წარმოებულებმა შეიძლება დათრგუნონ ლეიკოპოეზი და გამოიწვიონ აგრა-



ზ. სიხნო

წულოციტოზი, ანილინის წარმოებულებმა წარმოქმნან მეტპემოგლობინი და სხვ. როგორც წესი, პრეპარატების მიღების შეწყვეტის შემდეგ ყველა გართულება ქრება.

სიძვა (სამართ. ისტ.), ძვ. საქართველოში დაუქორწინებელი ქალ-ვაჟის სქესობრივი კავშირი, „უმეულღლოს ბოზობა“ (საბა). ასეთ ქალს „მეძავი“, მამაკაცს კი „მსიძავი“ ერქვა. „მეძავისაგანი“ ანუ „სიძვით შობილი“ აღნიშნავდა *ნაბიჭვარს*, „სიძვის სასყიდელი“ — როსკიპის („წარმდები“, „სიძვის დედაკაცი“) გასამრჯელოს, ხოლო „მეძავთ-საძოვნებელი“ და „მეძავთუბუცესი“ („დიდი სჯულის-კანონის“ ქართ. თარგმ.) — სამეძაო სახლსა და მის პატრონს. „სიძვით დაცემისათვის“ *სჯულისკანონი* 3 თუ 7 წლით უზიარებლობას აწესებდა („სიძვისა კანონით“ *განკანონება*). „ცთუნება ქალწულისა უთხოველისაჲ“ ხალხ. ზნეობით *სისხლის აღებას* იწვევდა. შდრ. *მრუშობა*.

წყარო: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—6, თბ., 1963—77.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ი. ფუტკარაძე.*

სიძიანი, მდინარე ჩინეთის სამხრ. ნაწილში. სიგრძე 2130 *კმ*, აუზის ფართ. 437 ათ. $კმ^2$ (აქედან დაახლ. 11 ათ. $კმ^2$ ვიეტ. ტერიტორიაზეა). სათავე აქვს იუნანის მთიანეთში. უმთავრესად მიედინება ვიწრო და ღრმა, ჭორომიან ხეობაში. ს. მდ-ებთან ბეიძიანსა და დუნძიანთან ერთად ერთვის სამხრეთ ჩინეთის ზღვას და ქმნის ერცელ დელტას (ფართ. 16,9 ათ. $კმ^2$). წყლის საშ. ხარჯი ქ. უჯოუსთან დაახლ. 8000 $მ^3/წმ$. ხშირია წყალდიდობა. ს-ს იყენებენ სარწყავად. სანაოსნოა ქ. უჯოუმდე. ს-ის დელტაზეა საზღვაო ნავსადგური გუანჯოუ (კანტონი).

სიძუოკა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში. სიძუოკის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 458 ათ. მცხ. (1980). საფეიქრო მანქანათმშ., ელექტრომანქანათმშ., ავია- და გემთმშენებლობა; მეტალ., ხის დასამუშ. (მ. შ. ავეჯის, გალაქულ და ბამბუკის ნაკეთობათა წარმოება), საფეიქრო და ქაღალდის მრეწველობა.

სიძუოკა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. სანაპირო ნაწილში. ფართ. 7,8 ათ. $კმ^2$. მოსახლ. 3,5 მლნ. კაცი (1982), აქედან 70%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. სიძუოკა. შედის ტოკაის ეკონ. რ-ნში. სამთომოპოვებითი მრეწვ. (იღებენ ოქროს, სპილენძის მადანს), სატრანსპ. მანქანათმშ., ცელულოზა-ქაღალდის, ქიმ., კვების მრეწვ., საერთო მანქანათმშ., ალუმინის მრეწვ. საწარმოები.

მოპყავთ ბრინჯი, ბატატი, თამბაქო. მანდარინისა და ჩაის მოყვანით ს. I ადგილზეა იაპონიაში. განვითარებულია მესაქონლეობა, მეფრინველეობა, თევზჭერა. მეყვავილეობა. ტურიზმი (მწვ. ფუძიამა). კურორტები.

სიჟინავა ანტონ ილარიონის ძე [14. (26). XI. 1899, დაბა ახალ სენაკი, ახლანდ. ცხაკაია,—13. III. 1963, თბილისი], ქართველი საბჭ. ექიმი, პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1950), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1947—49 იყო თბილ. სტომატოლოგიური ინ-ტის პედიატრიის კათედრის გამგე, 1949-იდან — ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბავშვთა განყ-ბის გამგე, 1960-იდან განაგებდა პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მოზრდილ ბავშვთა პათოლ. და თერაპიის განყ-ბას. 1952-იდან საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პედიატრი იყო. ს. შეისწავლიდა ბავშვთა დაავადებების, მ. შ. ტუბერკულოზის, ეპიდემიური ცერებრო-სპინალური მენინგიტის საკითხებს, მცირე ასაკის ბავშვთა აპენდიციტის კლინიკასა და ეტიოლოგიას, საქართვ. ზოგიერთი კურორტის (მანგლისი, წყნეთი, ბაკურიანი, ლესელიძე) კლიმ. ფაქტორების გავლენას ბავშვთა ორგანიზმზე და სხვ., ეწეოდა ორგანიზაციულ და პედ. მუშაობას.

თხზ.: სისხლის ზოგიერთი ცვლილებები ექსპერიმენტული ტოქსიკოზის დროს, თბ., 1946 (ამონაბეჭდი ა/კ რკინიგზის თბილ. კლინიკური საავადმყოფოს შრომებიდან, ტ. 54). *თ. გოცუაშვილი.*

სიჯინავა გივი რაჟდენის ძე (დ. 1. XI. 1933, სოფ. ყულევი, ხობის რ-ნი), სოციალისტური შრომის გმირი (1971); დაამთავრა წულუკიძის № 9 პროფტექ. სასწავლებელი (1945). მუშაობდა სოფ. ყულევის კოლ-ბაში (1946—53), სოფ. ჭალადიდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში ტრაქტორისტად (1954—55), ტრესტ „კოლხიდმშენის“ № 7 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში ბულდოზერის მემანქანედ (1958—71). 1972-იდან მუშაობს მექანიზმების შემკეთებელი ბრიგადის ბრიგადირად, არის საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯული, სახ. დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და ტრესტ „კოლხიდმშენის“ სოფ. მეურნ. მუშაკთა პროფკავშირების გაერთიანებული კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სიხალიძეები, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (მერისის სოფსაბჭო), მდ. მერისის ნაპირებზე. ზ. დ. 400 *მ*, ქედიდან 7 *კმ*. მერისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. მერისში (3 *კმ*). ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი).

სიხარულიძე ივანე ალექსის ძე [25. VI (7. VII). 1896, ჩოხატაური, — 6. V. 1964, თბილისი], ქართველი საბჭ. ექიმი, ოფთალმოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1958). სკკპ წევრი 1952-იდან. 1924 დაამთავრა თბილ. უნტის სამკურნ. ფაკ-ტი. 1943-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის თვალის სნეულებათა კათედრას. შეისწავლიდა თვალის სნეულებათა აქტუალურ საკითხებს — თვალის ფსკერის ცვლილების მნიშვნელობას არტერიული პიპერტონიის დიაგნოზისა და პროგნოზისათვის, ექსპერიმენტულ კერატიტს და სხვ. ქართ. ენაზე შეადგინა ოფთალმოლოგიის სახელმძღვანელო. დაჯილდოებულია წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

თხზ.: თვალის სნეულებანი (სახელმძღვანელო), თბ., 1955.

სიხარულიძე მარიამ ალექსის ასული [დ. 3 (16). IV. 1907, სოფ. გოგოლეისუბანი, ჩოხატაურის რ-ნი], ქართველი საბჭ. სელექციონერ-მემცენარე. სკკპ წევრი 1953-იდან. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). 1929 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. ს-ის გამოკვლევები ეხება საქართვ. მინდვრის კულტურათა ბოტან. შედგენილობის, მათი სელექციური ღირსებისა და სელექციის მეთოდიკის საკითხებს. შექმნა პერსპექტიული სასელექციო მასალა ინტენს. ტიპის ხორბლის ახ. ჯიშების გამოსაყვანად. თანაავტორია ლობიოს დარაიონებისა და ახ. ჯიშების გამოყვანისა. ეკუთვნის სახელმძღვანელო „მინდვრის კულტურათა სელექცია და მეთესლეობა“. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

სიხარულიძე ქსენია ალექსის ასული (20. VI. 1909, სოფ. გოგოლეისუბანი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, — 13. X. 1976, თბილისი), ქართველი საბჭ. ფოლკლორისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1960). სკკპ წევრი 1951-იდან. დაამთავრა თსუ-ის სიბრძნის-მეტყველების ფაკ-ტი (1929). 1936-იდან მუშაობდა უნ-ტთან არსებულ შოთა რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტის ფოლკლორის განყ-ბაში, 1940-იდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, 1968-იდან ხელმძღვანელობდა ფოლკლორისტიკის კათედრას. ს. იკვლევდა ქართ. ფოლკლორის აქტუალურ პრობლემებს: საბავშვო ფოლკლორს, საწესჩვეულებო პოეზიას, საგმირო და საისტ. ზეპირსიტყვიერებას, ფოლკლორულ-ლიტ. ურთიერთობებს და სხვ. ძირითადი ნაშრომები: „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება (1949), „ქართველი მწერლები და ხალხური სიტყვიერება“ (I, 1956; II, 1966), „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“ სამ ტომად (1961, 1964, 1967), „ქართული ხალხური საგმირო პოეზიის საკითხები“ (1970), „ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ (1976) და სხვ. დიდი ამაგი დასდო ფოლკლორულ ნიმუშთა შეკრებასა და გამოცემას. იყო ნარატიული ფოლკლორის შემსწავლელი საერთაშ. საზ-ბის წევრი (1969). ს-ის ნაშრომები თარგმნილია რუს., უნგრ., გერმ., ინგლ. ენებზე.

ლიტ.: ზანდუკელი ფ., გამოჩენილი ფოლკლორისტი, კრ.: ფოლკლორის თეორია და ისტორია (ქართული ფოლკლორი, VIII), თბ., 1979; ცანავა ა., ქსენია სიხარულიძე, თბ., 1971. *ფ. ზანდუკელი.*

სიხთა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (ქეშელთის სოფსაბჭო). მდ. ფაწის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1500 *მ*, ჯავიდან 20 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 34 *კმ*. წონის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ყემულთაში (3 *კმ*).

სიხისტე, სხეულის ან კონსტრუქციის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს *დეფორმაციის* წარმოქმნას; კონსტრუქციის ელემენტის განივკვეთის ფიზ.-გეომ. მახასიათებელი. მარტივი დეფორმაციის შემთხვევაში, *ჰუკის კანონის* ფარგლებში, ს. რიცხობრივად განისაზღვრება როგორც *E* (შეკუმშვა-გაჭიმვისა და ღუნვის დროს) ან *G* (ძერისა და გრეხის დროს) *დრეკადობის მოდულების* ნამრავლი ელემენტის განივკვეთის ამა თუ იმ გეომ. მახასიათებელზე: *ES* — გაჭიმვა-შეკუმშვისას, *EI* — ღუნვისას, *GS* — ძერისას და ა. შ., სადაც *S* განივკვეთის ფართობია, *I* — ინერციის ღერძული მომენტი. ს-ის ცნებით ფართოდ სარგებლობენ მასალათა გამძლეობის ამოცანების ამოხსნისას.

სიხნო პეტრე მიხეილის ძე (3. IV. 1920, სოფ. ეერბსკი, პოლტავის ოლქი, — 4. V. 1945, ბერლინი), საბჭ. კავშირის გმირი (24. III. 1945), გვარდიის უფროსი ლეიტენანტი. სკკპ წევრი 1943-იდან. 1930-იდან ცხოვრობდა საქართველოში. 1936 დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახელობის პედ. სასწავლებელი, დმანისის რ-ნში მუშაობდა მასწავლებლად. 1941 გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. იბრძოდა სტალინგრადის, ცენტრ., უკრ. I და II, ბელორ. I ფრონტებზე. ქ. ტორნაუს მახლობლად მდებარე სიმაღლის აღებაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება. ბერლინის შტურმის მონაწილე. ს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

სიხოტე-ალინი, მთიანი მხარე სსრკ სამხრ.-აღმ. ნაწილში, რსფსრ ხაბაროვსკისა და პრიმორიეს მხარეებში, იაპონიის ზღვასა და მდ-ების უსურისა და ამურის ქვემო დინებებს შორის. გადაჭიმულია იაპონიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ 1200 *კმ*-ზე. სიგანე 200—250 *კმ*, საშ. სიმაღლე 800—1000 *მ*, მაქს. — 2077 *მ* (მთა ტორდოკი-იანი). ს.-ა. შედგება ხეობებით გაყოფილი ქედების, მასივებისა და პლატოებისაგან. მთიანეთის დიდი ნაწილი აგებულია მეზოზოური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ღერძული ზოლი ანტი-


კლინორიუმია, რ-ის საფუძველში გაშიშვლებულია პალეოზოური (პერმული) ნალექები და ინტრუზივები. მის აღმით იურული და ცარცული ნალექებით აგებული სინკლინორიუმია, რ-იც ზღვისპირა ზოლში დაფარულია მეზო-კაინოზოური ანდეზიტებითა და ბაზალტებით. ჩრდ. ნაწილი ბაზალტებით აგებული მაღალი პლატოა. ცენტრ. ნაწილში არის მაღალი ქედები. ს.-ა-ში არის ქვანახშირი, მურა ნახშირი, ოქრო, პოლიმეტალები და სხვ. ნალექები 600-იდან 1000 *მ*-მდე წელიწადში. ს.-ა-ის დას. კალთებზე სათავეს აქვს ამურის აუზის მდ-ებს. სამხრ. და ცენტრ. ნაწილში მთის კალთები 500 *მ* სიმაღლემდე შემოსილია წიწვოვან-ფართოფოთლოვანი ტყით, ხეობათა ძირზე ხარობს გარეული ვაზი, ციცაბო კალთებზე — მუხის რაყები. ჩრდ-ით ჭარბობს წიწვოვანი ტყე, ზედა სარტყელში მთის ტუნდრაა. ს.-ა-ში ბინადრობს მურა და შავი დათვი, ტახი, იზუბრი, უსურიის ვეფხვი და სხვ. გვხვდება ქვეწარმავალი. არის სიხოტე-ალინის ნაკრძალი.

სიხოტე-ალინის მეტეორიტი, ვარდნისას შემჩნეული უდიდესი რკინის *მეტეორიტი*. სრული მასა ≈ 70 ტ, ჩამოვარდა 1947 წ. 12 თებ., რსფსრ პრიმორიეს მხარეში, სიხოტე-ალინის დას. ნაწილში, ადგილ. დეკრეტული დროით 10 სთ 38 წთ. ჰაერშივე დაიმსხვრა და 3 *კმ*² ფართობზე მეტეორიტული წვიმა გამოიწვია, ახლდა *ბოლიდიც*, რ-იც 400 *კმ* რადიუსიან არეში ჩანდა და დატოვა მტვრის ნაკვალევი (ჩანდა რამდენიმე საათის განმავლობაში). ბოლიდის გაჭრობისას გაისმა დარტყმის ხმა, გრუნტი და ნაგებობები შეირყა. მოვლენა შეისწავლა სსრკ მეცნ. აკად. მეტეორიტების კომიტეტის რამდენიმე ექსპედიციამ ვ. ფესენკოვის, ე. კრინოვისა და ს. ფონტონის ხელმძღვანელობით. აღმოჩნდა 24 კრატერი (დიამეტრი 9—26 *მ*), 98 ღრმული (0,5—9 *მ*) და 78 პატარა ღრმული, რ-ებიც ცალკეულმა მეტეორიტებმა წარმოქმნეს. უფრო მსხვილი მეტეორიტები დაიმსხვრა კლდის ქანებზე დაჯახებისას, წარმოიქმნა მტვერი და წვრილი მეტეორიტები, რ-ებიც ტაიგაში გაიფანტა (იპოვეს≈3500). ყველაზე დიდი მთლიანი მეტეორიტების მასაა 1745, 1000; 700; 500, 450, 350 *კგ*. სულ შეგროვდა 27 ტ. ქიმ. შედგენილობა: Fe(93,29%, მასის მიხედვით), Ni(5,94%), P(0,56%), CO(0,38%), S(0,28%), Cu(0,03%) და სხვ.

ლიტ.: ჯაფიაშვილი ვ., მოწყვეტილი ვარსკვლავები და ციური ქვები, თბ., 1976; Сихотэ-Алинский железный метеоритный дождь. [Сб. ст.], т. 1—2, М., 1959—63.

სიხშირესაზომი, რხევათა სიხშირის საზომი ხელსაწყო. ეკუთვნის უშუალო ათვლის ხელსაწყოთა კლასს. ს. მუშაობს გასაზომი რხევის იმ პერიოდთა რიცხვის გამოთვლის პრინციპით, რ-ებიც ეტევა სიხშირით მაღალსტაბილური ეტალონური გენერატორის რხევის 1 პერიოდში, ან ეტალონური რეზონატორების თუ გენერატორების ცნობილ სიხშირესთან შედარების პრინციპით. ფეროდინამ., ელექტრომაგნ. და გამმართველი ს-ები არის ფარისებრი და გადასატანი, მაჩვენებელი და თვითმწერი (1—500 *ჰც* სიხშირის გასაზომად), ელექტროდინამ. და კამერტონიანი გადასატანი მაჩვენებელი ხელსაწყოების სახისა (3 *მეგაჰც*-მდე სიხშირისათვის), ელექტრონული და ციფრული (გადასატანი, 1 *მეგაჰც*-მდე სიხშირისათვის). იშვიათად იყენებენ ვიბრაციულ ს-ს.

სიხშირის ავტომატური რეგულირება (სარ) ენერგოსისტემაში, ტექნიკური მოთხოვნებითა და მუშაობის ეკონომიურობის პირობებით გათვალისწინებულ დასაშვებ საზღვრებში სისტემაში ელექტრული დენის სიხშირის ავტომატურად შენარჩუნება ელექტრული დენის სიხშირის ნორმიდან გადახრისას. სარ-ის მოწყობილობა ზემოქმედებს ტურბინაზე მისი სიჩქარის რეგულატორის მეშვეობით, რითაც ქმნის შესაბამისობას გენერატორების აქტ. სიმძლავრესა და სისტემის ელექტრულ დატვირთვას შორის უცვლელი სიხშირის შენარჩუნების პირობებში. დამუშავებულია ისეთი ავტომ. რეგულირების სისტემები, რ-ებიც ერთდროულად ინარჩუნებენ სიხშირეს და ეკონ. თვალსაზრისით მიზანშეწონილად ანაწილებენ აქტ. სიმძლავრეს სისტემის ელექტროსადგურებს შორის.



სიხშირის გამყოფი. სიხშირის რეგენერაციული გამყოფის სქემა. უკუკავშირის წრედში სიგნალის გავლა ნაჩვენებია პუნქტირიანი ისრებით.

სიხშირის გამყოფი, ელექტრონული მოწყობილობა, რ-იც მიყვანილი პერიოდული რხევების სიხშირეს ამცირებს მთელ რიცხვჯერ. ს. გ-ს იყენებენ ტელევიზიაში (გაშლის გენერატორების სინქრონიზაციისათვის), რადიოლოკაციაში და სხვ. სიხშირის გასაყოფად იყენებენ ელექტრონულ მრიცხველს (იხ. *ტრიგერი*), სინუსოიდური რხევების ავტოგენერატორს, რეგენერაციულ მოწყობილობას, რელაქსაციურ გენერატორს და სხვ. თვითაგზნებადი სინუსოიდური რხევების გენერატორში სიხშირის გაყოფა ხდება მისი სიხშირის სინქრონიზაციით. რეგენერაციულ ს. გ-ში გასაყოფი სიხშირის f სიგნალი და უკუკავშირის წრედში აღძრული $(k-1)\cdot f/k$ (k გაყოფის კოეფიციენტია) სიგნალი მოქმედებს სიხშირის გარდამქმნელზე (ნახ.) და გამოსასვლელზე მიიღება f/k სიხშირის რხევა. იმპულსური სიგნალების განმეორების სიხშირის გასაყოფად იყენებენ უწყვეტ ან მომლოდინე რეჟიმით მომუშავე *მულტივიბრატორებსა* და *ბლოკინგ-გენერატორებს*.

სიხშირის გარდამქმნელი, 1. რადიოტექნიკაში, ელექტრონული მოწყობილობა, რ-იც ცვლის თავის შესასვლელზე მიწოდებული რადიოსიგნალის სიხშირეს სხვა სიხშირის დამხმარე რხევების ზეგავლენით. ს. გ-ს ფართოდ იყენებენ *სუპერჰეტეროდინულ რადიომიმღებებში*, ე. წ. შუალედური სიხშირის გარდაქმნის კასკადში და ა. შ. 2. ელექტროტექნიკაში, ელექტრული ძაბვის (დენის) სიხშირის შესაცვლელი მოწყობილობა; იყენებენ სარეგულირებელი ელექტრომამრავისა და ჩაგნ. მაძლიერებლების კვების სისტემებში სხვადასხვა სიხშირის ცვლადი დენის 2 ან მეტი სისტემის შესათანხმებლად და ა. შ. განასხვავებენ სტატ. ელექტრომანქანურსა და კომბინირებულ ს. გ-ებს. *გ. კიკვილაშვილი.*

სიხშირის კვანტური სტანდარტები, მოწყობილობები, რ-ებშიც რხევათა სიხშირის ზუსტი გაზომვისათვის ან საკმაოდ სტაბილური სიხშირის რხევების გენერირებისათვის იყენებენ ნაწილაკების (ატომების, მოლეკულების, იონების) კვანტურ გადასვლებს ერთი ენერგეტ. მდგომარეობიდან მეორეში.

სიხშირის მამრავლებელი, ელექტრონული (ან ელექტრომაგნიტური) მოწყობილობა, რ-იც პერიოდული ელექტრული რხევების სიხშირეს ზრდის მთელ რიცხვჯერ. სიდიდეს $m=\frac{f_{\text{გ}}}{f_{\text{შ}}}$ ეწოდება გამრავლების კოეფიციენტი (Fშ და $f_{\text{გ}}$ ს. შ-ის შესასვლელსა და გამოსასვლელზე რხევათა სიხშირეებია). $m\geqslant 2$ ზოგჯერ კი რამდენიმე ათეულის ტოლია. ს. შ-ის შესასვლელზე სიხშირის ან მისი პარამეტრების ცვლილებებისას m რჩება მუდმივი. ს. შ-ის ეს თვისება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ იგი სიხშირის სტაბილიზაციისათვის. უფრო ფართოდაა გავრცელებული ისეთი ს. შ., რ-იც შედგება არაწრფივი ელემენტისა (ელექტრონული მილაკი, ტრანზისტორი და სხვ.) და ელექტრონული ფილტრისაგან.


რადიოტექნიკაში ს. შ-ს იყენებენ გადამცემებში სტაბილური ზემაღალი სიხშირის რხევების მისაღებად, სიხშირეთა ეტალონებში და სხვ. *გ. კიკვილაშვილი.*

სიხშირულ-დროითი ტელეგრაფირება, *კავშირგაბმულობის ხაზებით* სატელეგრაფო ელექტრული სიგნალების გადაცემა მათი სიხშირული და დროითი შემჭიდროების კომბინაციის მეშვეობით (იხ. *მრავალარხიანი კავშირგაბმულობა*). ს.-დ. ტ. ხორციელდება უმთავრესად სააბონენტო ტელეგრაფისა და პირდაპირ შეერთებათა საკომუტაციო *სატელეგრაფო ქსელების* ბოლო პუნქტებში სტარტსტოპული *ტელეგრაფის აპარატების* გამოყენებით. ს.-დ. ტ-ის არხწარმომქმნელი აპარატურა შეიცავს მოწყობილობას 1 სტანდარტულ სატელეფონო კაბელში 4 ჯგუფური სიხშირული არხის წარმოსაქმნელად. თითოეული არხი თავის მხრივ დროითი შემჭიდროების მეშვეობით წარმოქმნის 12 ინდივიდ. არხს.

ს.-დ. ტ-ის ღირსებაა მაღალი დაბრკოლებამდგრადობა, სტანდ. სატელეფონო არხის სიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენება და სხვ. ს.-დ. ტ-ის სისტემების ექსპლუატაციის დროს ძირითად სიძნელეს წარმოადგენს ტელეგრაფირების ზუსტად განსაზღვრული სიჩქარის მქონე სტარტსტოპული ტელეგრაფის აპარატების გამოყენების აუცილებლობა.

სიხშირული ვეთოდი ავტომატური მართვის თეორიაში, ავტომატური მართვის სისტემებში (ამს) პროცესების ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რ-იც დამყარებულია სისტემის სიხშირული მახასიათებლების გამოყენებაზე. ს. შ-ით სარგებლობისას საწყის მონაცემებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ დიფერენც. განტოლებები, არამედ ექსპერიმენტით დადგენილი სისტემის სიხშირული მახასიათებლებიც. ს. შ. ემყარება იმ გარემოებას, რომ სისტემის სიხშირული მახასიათებლები ლაპლასის გარდაქმნით ცალსახად არის დაკავშირებული სისტემის გადაცემის ფუნქციასთან. ს. შ. საშუალებას იძლევა გრაფ.-ანალიზურად აიცოს სისტემის *გარდამავალი პროცესი*, რაც არ მოითხოვს სისტემის მახასიათებელი განტოლების ფესვების გამოანგარიშებას. ს. შ-ით შეიძლება ჩატარდეს სისტემის მდგრადობის, გარდამავალი პროცესის ხარისხისა და დინამ. სიზუსტის ანალიზები (სისტემაზე ტიპური და შემთხვევითი ზემოქმედების მოდებისას). *ოპტიმალური მართვის* სისტემების სინთეზისათვის ს. შ. საშუალებას იძლევა რეგულირების ობიექტის ცნობილი გადაცემის ფუნქციიდან და დინამიკის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვროს ამს-ის მაკორექტირებელი მოწყობილობის სქემა და პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობანი. პირველად ს. შ. *ავტომატური მართვის თეორიაში* შემოიტანა ა. მიხაილოვმა (1936—38), რ-მაც გამოიყენა იგი წრფივ მუდმივპარამეტრებიან სისტემებში რეგულირების პროცესის ხარისხის გამოსაკვლევად. შემდეგში ს. შ-ის სახესხვაობები გამოიყენეს სხვა სახის სისტემებშიც — იმპულსურში, ცვლადპარამეტრებიან წრფივ სისტემებსა და არაწრფივ სისტემებში.


ლიტ.: Воронов А. А., Титов В. К., Новогранов Б. Н., Основы теории автоматического регулирования и управления, М., 1977; Теория автоматического регулирования, под ред. В. В. Солодовникова, М., 1967 (Техническая кибернетика, кн. 1). *გ. ჯაფიაშვილი.*



სკა. ორკორპუსიანი სკის აგებულების სქემა.



ს. სკაზკინი.



სკალარული ნამრავლი. ორი ვექტორის სკალარული ნამრავლი არის ერთ-ერთი ვექტორის სიგრძისა და ავსავე ვექტორის მიმართულებაზე ალებული მეორე ვექტორის პროექციის ნამრავლი.

სიხშირული ტელეგრაფირება, სატელეგრაფო სიგნალების გადაცემა *კავშირგაბმულობის ხაზებში* ცვლადი დენის გამოყენებით. ს. ტ-ის დროს *ტელეგრაფის* აპარატში მუდმივი დენის სიგნალები გარდაიქმნება ცვლადი დენის სიგნალებად, რ-ებიც შემდეგ გადაეცემა საკაბელო ან რადიორელეურ ხაზს. ს. ტ-ის სისტემის ყოველ არხში სიგნალები გადაიცემა „საკუთარი“ გადამტანი სიხშირით. ამ დროს იყენებენ სიხშირულ, ამპლიტუდურ ან ფაზურ *მოდულაციას* (იხ. *ტონალური ტელეგრაფირება*).


სიჯანაანი, სოფელი დუშეთის რ-ნში (გუდამაყრის სოფსაბჭო), მდ. ბაკურხევის (გუდამაყრის არაგვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1330 *მ*, დუშეთიდან 69 *კმ*. გუდამაყრის ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. კიტოხში (7 *კმ*).

სკა, ფუტკრის ხელოვნური საბინადრო. შედგება რამდენიმე ძირითადი წაწილისაგან: კორპუსის, ფსკერის, სახურავის, საკუჭნაოსა და ჩარჩოებისაგან. ს-ში ფიჭები ჩამაგრებულია ჩარჩოებზე, რ-თა ამოღება შეიძლება. ს. უნდა აკმაყოფილებდეს ფუტკრის ბიოლ. მოთხოვნებს, მისი ნაწილები კარგად უნდა იყოს მორგებული ერთი მეორეზე, ბუდე დაცული იყოს ატმ. ნალექებისა და ფუტკრის მავნებლებისაგან. ჩარჩოიანი ს. 1814 გამოიგონა უკრ. მეფუტკრემ პ. პროკოპოვიჩმა. პრაქტიკაში დანერგილია რამდენიმე ტიპის ს. ყველაზე პოპულარულია 12-ჩარჩოიანი საკუჭნაოიანი დადანბლატის ს. ადგილმდებარეობის, ბუნებრივ-კლიმ. პირობების, ღალიანობისა და ფუტკრის ჯიშის შესაბამისად, პრაქტიკაში იყენებენ როგორც 12-ჩარჩოიან დადანბლატის (ჩარჩოს ზომა 435×300 *მმ*), ისე მრავალკორპუსიან (ჩარჩოს ზომა 435×270 *მმ*) და 18-, 20- და 24-ჩარჩოიან (ჩარჩოს ზომა 435×300 *მმ*) წოლელა ს-ებს. საქართვ. პირობებში უმთავრესად იყენებენ 12-ჩარჩოიან დადანბლატის ს-ებს. დას. საქართვ. აფხ. ზონაში უპირატესობას ანიჭებენ 18-ჩარჩოიან წოლელა ს-ებს.

ა. ხიდეშელი.

სკაბინი (<გვიანდ. ლათ. scabinus), მოხამართლე ფრანკთა სახელმწიფოში. ს-ების ინ-ტი დაარსდა *კარლოს დიდის* რეფორმის (809) შედეგად. ს-ს ნიშნავდა სახელმწ. წარმომადგენელი ან გრაფი. ს-ებმა შეცვალეს სახ. სასამართლო კრებების არჩევითი მსაჯულები — რახინბურგები. ს-ების კოლეგია (ჩვეულებრივ 7 კაცი) ადგილ. ადათ-წესების მცოდნეთაგან შედგებოდა და რჩევას აძლევდა სასამართლოს თავ-რეს — გრაფს ან მის წარმომადგენელს. ს-ების კოლეგიიდან შეიქმნა შეფენების (გერმანია) და *ეშევენების* (საფრანგეთი) ინ-ტები.

სკაგერაკი (Skagerrak), სრუტე იუტლანდიისა და სკანდინავიის ნ.-კ-ებს შორის. სხვა სრუტეებთან ერთად აკავშირებს ჩრდილოეთის ზღვას ბალტიის ზღვასთან. სიგრძე 300 *კმ*, სიგანე 110—130 *კმ*. სრუტეში შეინიშნება ორი დინება — ზედაპირული (დას-ით მიმართული, სიჩქარე 2—4 *კმ/სთ*) და სიღრმითი (აღმ-ით მიმართული). მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 0,4 *მ*-მდე. თევზის რეწვა. ნავსადგურებია ოსლო, კრისტიანსანი, არენდალი (ნორვეგია).



სკალა. სკალები: ა—თანაბარზომიერი; ბ—კვადრატიკული; გ—ლოგარითმული.

სკადარი, შ კ ო დ ე რ ი (სერბ.-ხორვ. Skadarsko jezero; ალბ. Liqeni i Shkodrës), ტბა იუგოსლავიასა და ალბანეთში. ფართ. 356—388 *კმ²* (ცვალებადობს სეზონურად), სიღრმე 44 *მ*-მდე. აღმ. და ჩრდ. ნაპირები დაბალია, დას. და სამხრ.-დას. — მთიანი. ს-იდან გამოდის მდ. ბუნა და უერთდება ადრიატიკის ზღვას. ნაოსნობა, თევზჭერა. სამხრ.-აღმ. სანაპიროს მახლობლად — ქ. შკოდერი (ალბანეთი).

სკადოვსკი (1961-მდე დაბა), ქალაქი უკრ. სსრ ხერსონის ოლქში. სკადოვსკის რ-ნის ცენტრი. ნავსადგური შავი ზღვის ნაპირზე, ხერსონიდან 82 *კმ*. კვების მრეწვ. საწარმოები, საშენ მასალათა ქ-ნა. ზღვისპირა კლიმ. საბავშვო კურორტი.

სკაზკინი სერგეი დანიელის ძე [7(19). X. 1890, ნოვოჩერკასკი, — 14. IV. 1973, მოსკოვი], საბჭ. ისტორიკოსი, მედიევისტი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958), სსრკ პედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1947), სოციალ. შრომის გმირი (1970). დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1915). 1949-იდან მოსკ. სახელმწ. უნ-ტის შუა საუკ. ისტ. კათედრის გამგე, 1962-იდან სსრკ მეცნ. აკად. ისტ. ინ-ტის შუა საუკ. ისტ. სექტორის გამგე. ს-ის მთავარი შრომები ეხება აგრ. ურთიერთობებს, დას. ევრ. გლეხობის ისტორიას, მწვალებლურ მოძრაობას, აბსოლუტიზმს, აღორძინებას და სხვ. აქვს შრომები დას. ევრ. ქვეყნების ახალსა და საერთაშ. ურთიერთობათა ისტორიაში. ავტორი და რედაქტორია შუა საუკ. ისტ. სახელმძღვანელოებისა უმაღლესი სკოლებისათვის, აგრეთვე „დიპლომატიის ისტორიის“ ზოგიერთი თავისა. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Избр. труды по истории, М., 1973 (ახლავს ს-ის შრომათა ბიბლიოგრ.); Очерки по истории западно-европейского крестьянства в средние века, М., 1968.

სკალა (ლათ. scala — კიბე) ს ა ზ ო მ ი ხ ე ლ ს ა წ ყ ო ს ი, ხელსაწყოს ასათვლელი მოწყობილობის ნაწილი, რ-იც წარმოადგენს გასაზომი სიდიდის თანამიმდევრული მნიშვნელობების რიგთან შესაბამისი ნიშნულებისა (გარკვეული თანამიმდევრობით განლაგებული წერტილები და შტრიხები) და ზოგიერთ მათგანთან დასმული ათვლის რიცხვების ან სხვა სიმბოლოების ერთობლიობას. ს-ის პარამეტრები (მისი ზღვრები, დანაყოფის სხვაობა და მისთ.) განისაზღვრება ხელსაწყოს საზომი მექანიზმით რეალიზებული გაზომვის ზღვრებით, ხელსაწყოს მგრძნობიაროზითა და საჭირო ათვლის სიზუსტით. ასათვლელი მოწყობილობის კონსტრუქციის მიხედვით ს-ის დანაყოფები შეიძლება განლაგდეს წრიულად, რკალურად ან წრფივად, თვით ს. კი შეიძლება იყოს თანაბარზომიერი, კვადრატიკული, ლოგარითმული და ა. შ. (იხ. ნახ.).

სკალარი (ლათ. scalaris — კიბისებრი, საფეხურებიანი), სიდიდე (სიგრძე, ფართობი, დრო, მასა, სიმკვრივე, ტემპ-რა, მუშაობა და სხვ.), რ-ის ყოველი მნიშვნელობა შეიძლება გამოისახოს ერთი ნამდვილი რიცხვით. ტერმ. „ს.“ გამოიყენება (ზოგჯერ როგორც რიცხვის სინონიმი) ვექტორულ აღრიცხვაში, სადაც იგი უპირისპირდება *ვექტორს*.

სკალარული ნამრავლი *a* და *b* ვექტორებისა, სკალარი, რ-იც ტოლია ამ ვექტორთა სიგრძეებისა და მ. შ. მდებარე კუთხის კოსინუსის ნამრავლისა; აღინიშნება (*a b*) ან *ab* სიმბოლოებით. ს. ნ-ის თვისებები; 1. (*ab*)=(*ba*); 2. (*αab*)=*α*(*ab*) (*α*—სკალარია); 3. (*a b*+*c*)=(*ab*)+(*ac*); 4. (*aa*)>0, თუ *a*≠0 და (*aa*)=0, როცა *a*=0. *a* ვექტორის სიგრძე ტოლია $\sqrt{(a\ a)}$. თუ (*ab*)=0 მაშინ ან *a*=0, ან *b*=0, ან *a*⊥*b*; თუ $a=(a_x,a_y,a_z)$ და $b=(b_x,b_y,b_z)$, (მართკუთხოვან დეკარტის კოორდინატებში), მაშინ $(a\ b)=a_xb_x+a_yb_y+a_zb_z$. „ს. ნ-ის“ ცნება განზოგადებულია *n*-განზომილებიანი ვექტორული სივრცეებისათვისაც.

სკალდები [სკანდ. skáld (მხ. რ.)—პოეტი, მომღერალი], IX—XIII სს. ნორვეგიელი და ისლანდიელი პოეტები. მათი ლექსები შემორჩენილია ფრაგმენტების სახით XIII ს. ისლ. ლიტ. ძეგლებში — *ედა* უმცროსსა და *საგებში*. ცნობილია დაახლ. 250 ს-ის ლექსები. ყველაზე ცნობილი იყო ისლ. ეგილ სკალაგრიმსონი (X ს.). ს. უმთავრესად თხზავდნენ სახოტბო სიმღერებს, ასახავდნენ ფაქტებსა და მოვლენებს. მათი თხზულებები საიმედო ისტ. წყაროდ ითვლება.

სკალიგერი (Scaliger) ჟოზეფ ჟიუსტ (იოზეფუს იუსტუს) (5. VIII. 1540, აჟენი, — 21. I. 1609, ლეიდენი), ფრანგი ჰუმანისტი, წარმოშობით იტალიელი, 1562-იდან კალვინისტი, აქტიურად მონაწილეობდა საფრ. *რელიგიურ ომებში*. *ბართლომეს ღამის* შემდეგ ჟენევაში გაიქცა. 1593-იდან ლეიდენში ცხოვრობდა და უნ-ტში ასწავლიდა. სახელი გაითქვა ანტ. ავტორების ვარონის, ვერგილიუსის, კატონის და სხვ. კომენტარებით. საფუძველი ჩაუყარა ანტიკურობის მეცნ. ქრონოლოგიას (ტრაქტატი „ქრონოლოგიის შესწორება“, 1583), შეიმუშავა წელთაღრიცხვის უნიფიკაციის სისტემა.

ლიტ.: Bernays J., J. J. Scaliger, B., 1855.

სკალპელი (ლათ. scalpellum — პატარა დანა), რბილი ქსოვილების გასაკვეთი ქირურგ. დანა (სიგრძე 12—15 *სმ*). იმ ფიზ. ხელსაწყოებს, რ-ებსაც რბილი ქსოვილების გასაკვეთად იყენებენ, პირობით ს-ს უწოდებენ: მაგ., ულტრაბგერითი ს., სხივური ს. (ლაზერი) და სხვ.

სკალპირება, დაჭრილი ან მოკლული (იშვიათად ცოცხალი) მტრისათვის თავის კანის თმებიანად ახდის ჩვეულება (მარცხ. ხელზე დაიხვევნენ თმას და მოქაჩავდნენ, ხოლო მარჯვ. ხელით ბასრი დანით ხდიდნენ სკალპს, რ-საც სამხ. ნადავლის სახით ინახავდნენ). ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. ხალხებში (მაგ., გალები, სკვითები). XVII—XIX სს-ში ს-ის წესი, რ-იც ადრე ჩრდ. ამერიკის აღმ. და სამხრ.-აღმ. ნაწილში (იროკეზები და სხვ.) არსებობდა, ჩრდ. ამერიკის სხვა ინდიელებშიც გავრცელდა.

სკანდე, სოფელი თერჯოლის რ-ნში (სამტანოს სოფსაბჭო), მდ. ჩხარის (ყვირილის სისტემა) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, თერჯოლიდან 15 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 *კმ*. საზანოს კოლ-ბა „წითელი ოქტომბერი“ (მევენახეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. საზანოში (3 *კმ*). შემორჩენილია განვითარებული შუა საუკ. ციხესიმაგრის ნანგრევები, რ-ის უძველესი ფენა ადრინდ. შუა საუკ. მიეკუთვნება. განვითარებულ შუა საუკუნეებში ს. იმერეთის მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.

სკანდერბეგი (Scanderbeg, Skänderbeu) გეორგ კ ას ტ რ ი ო ტ ი (Kastrioti) (დაახლ. 1405 — 17. I. 1468), ოსმალ დამპყრობთაგან ალბანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელი. ალბ. ეროვნ. გმირი, წარმოშობით გავლენიანი ფეოდ. სა-

გვარეულოს — კასტრიოტების შთამომავალი. ბავშვობაში მძევლად იყო ოსმ. სულთან მურად II-თან. როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა, ბეგის ტიტული მიიღო და ისკანდერი (ალექსანდრე მაკედონელის სახელი აღმ-ში), ისკანდერ-ბეგი (დამახინჯებული ს.) უწოდეს. სულთნისაგან მალულად მოლაპარაკება გამართა მის მტრებთან, მ. შ., *მატიაშ ჰუნიადისთან*. 1443 წ. 3 ნოემბ. ნიშთან უნგრ. ჯარების მიერ სულთნის დამარცხების შემდეგ 300 მხედრით მიატოვა სულთნის ბანაკი და დიბრაში ჩავიდა. გლეხების დახმარებით, რ-თაც ს. განმათ. ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, დაიწყო ლაშქრობა ალბ. ტერიტ. ოსმალებისაგან განთავისუფლებისათვის. 28 ნოემბ. იგი კასტრიოტის სამთავროს მეთაურად გამოაცხადეს. ს-მა განდევნა ოსმ. გარნიზონები ალბ. სიმაგრეებიდან, სახალხო ლაშქარი გარდაქმნა რეგულარულ არმიად. ალბ. ხალხი ს-ის ხელმძღვანელობით 24 წლის განმავლობაში იგერიებდა ოსმალთა თავდასხმებს. ალბ. სრ-ში დაწესებულია სკანდერბეგის ორდენი.

სკანდინავიის მთები, მთათა სისტემა სკანდინავიის ნ.-კ-ზე, ძირითადად შეეცია და ნორვეგიაში. გადაჭიმულია ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.- დას-კენ დაახლ. 1700 *კმ*-ზე, სიგანე ჩრდ-ით 200—300 *კმ*, სამხრ-ით 600 *კმ*-მდე. სიმაღლე 2469 *მ*-მდე (მთა გალჰეპიგენი). ს. მ. შედგება ცალკეული ზეგნების, ქედებისა და შიგა ქვაბულებისაგან. ხშირია ძვ. მყინვარების მოქმედების შედეგად მოსწორებული ზედაპირები, რ-ებიც დანაწევრებულია ღრმა ტექტონ. ხეობებითა და ფიორდებით. თანამედროვე რელიეფწარმომქმნელ პროცესებში წამყვანია წყლის ეროზია, ხოლო ზედა (ნივალურ) სარტყელში — აგრეთვე თოვლისა და ყინულის მოქმედება. ს. მ-ში არის კონტინენტური ევრ. უდიდესი თანამედროვე მყინვარები (სკანდ. ტიპისა). ს. მ-ის აგებულებაში მონაწილეობენ კალედონიური ნაოჭა სტრუქტურები და (სამხრ-ით და აღმ-ით) ბალტიის ფარის დას. აზევებული კიდის სტრუქტურები. არის რკინის, სპილენძისა და ტიტანის საბადოები. პავა ნოტიო ზღვიურია. მდინარეთა ქსელი ხშირია. ბევრია ტექტონ.-მყინვარული წარმოშობის ტბა. მთის კალთები 900-იდან 1100 *მ*-მდე (სამხრ-ით) და 300—500 *მ*-მდე (ჩრდ-ით) შემოსილია ტაიგით, დას. კალთებზე გეხვდება აგრეთვე ტორფნარი და ბუჩქნარი. უფრო მაღლა არყის ნათელი ტყეებია, რ-ებიც ზევით იცვლება მთის ტუნდრითა და მდელოთი.

სკანდინავიის ნახევარკუნძული, ნახევარკუნძული ევროპის ჩრდ.-დას. ნაწილში; უდიდესია ევროპაში. გადაჭიმულია ჩრდ-იდან სამხრ-კენ დაახლ. 1900 *კმ*-ზე, სიგანე 800 *კმ*-მდე, ფართ. დაახლ. 800 ათ. *კმ*². ს. ნ-ს გარს აკრავს ბალტიის, ჩრდილოეთის, ნორვეგიისა და ბარენცის ზღვები. სახმელეთო საზღვარი პირობით გაჰყავთ ბოტნიის ყურის ჩრდ. ნაწილსა და ვარანგერ-ფიორდის ყურეს შორის. სამხრ-ით ს. ნ. კატეგატისა და ერესუნის (ზუნდის) სრუტეებით გამოყოფილია დანიისაგან. ს. ნ-ზე მდებარეობს ნორვეგია, შვეცია და ფინეთის ჩრდ.-დას. ნაწილი. ჩრდ. და დას. სანაპირო ხაზი დანაწევრებულია ფიორდებით; ბევრია კუნძული და არქიპელაგი. სანაპიროზე ვიწრო და დაბალი ვაკეა. აღმ. და სამხრ. ნაპირები დაბალია, ბევრია პატარა უბე, კუნძული და წყალქვეშა კლდე. ს. ნ-ის დას. და ჩრდ. ნაწილში გადაჭიმულია *სკანდინავიის მთები*, რ-საც აღმ-ით ეკვრის ნორლანდის ვრცელი ზეგანი (სიმაღლე 800 *მ*-მდე). სამხრ-ით შუა შვეციის დაბლობი და სმოლანდის გუმბათისებრი მაღლობია (სიმაღლე 377 *მ*-მდე). ს. ნ-ის რელიეფის ფორმები უმთავრესად განპირობებულია ბალტიის ფარითა და კალედონიური ნაოჭა სტრუქტურებით, რ-ებმაც ნეოგენ-ანთროპოგენში მნიშვნელოვანი აზევება და მყინვარების ზემოქმედება განიცადა. ს. ნ-ზე იყო ევრ. კონტინენტური გამყინვარების ცენტრი. მყინვარული საფრის სისქე ზოგან 1500 *მ* აღემატებოდა. ს. ნ-ზე არის რკინის, სპილენძის, ტიტანის, ტყვიის მადნები.

ს. ნ-ის დას. ნაწილში პავა ზომიერია. ზამთარი თბილი იცის, ზაფხული — გრილი. იანვ. საშ. ტემპ-რა —4°C-იდან (ჩრდ-ით) 2°C-მდეა (სამხრ-ით), ივლისში, შესაბამისად, 8-იდან 14°C-მდე. ნალექები 1000—3000 *მმ* წელიწადში. სკანდინავიის მთების ზედა სარტყელში იანვ. საშ. ტემპ-რა —16°C-მდე ეცემა, ივლ. 6—8°C-მდე; 5000 *კმ*² დაფარულია ყინულით. ს.ნ-ის აღმ. ნაწილის პავა ზომიერია, კონტინენტურისკენ გარდამავალი. იანვ. საშ. ტემპ-რა —15°C-იდან (ჩრდ-ით) —3°C-მდე (სამხრ-ით), ივლ. შესაბამისად, 10-იდან 17°C-მდე. ნალექები 300—800 *მმ* წელიწადში, მაგრამ აორთქლებადობის სიმცირის გამო ტერიტ. დიდი ნაწილი დაჭაობებულია. მდინარეთა ქსელი ხშირია. მდ-ები მოკლე, წყალუხვი და ჰიდროენერგორესურსებით მდიდარია; ბევრია აგრეთვე ტბა. ს. ნ-ის ტერიტ. დაახლ. 43% შემოსილია ტყით (ჭარბობს ტაიგა). დას. ნაწილში გავრცელებულია ტორფნარი და მანანიანი. სამხრ. ნაწილში — შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეებია, უკიდურეს ჩრდ-ში — ტუნდრა. მთის ზედა სარტყელში — მთის ტუნდრა. ცხოველებიდან ბინადრობს: ლოსი, მელა, კურდღელი, ლემინგი, ირემი. სანაპირო კლდეებზე და კ-ებზე ბევრია ფრინველთა ბაზარი. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

სკანდინავიის სამონეტო კავშირი, იხ. *სამონეტო კონვენციები და კავშირები*.

სკანდინავიური ენები, ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანიკული ჯგუფის ჩრდილოეთის ქვეჯგუფი, რ-შიც შედის დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური და ფარერული ენები. გავრცელებულია სკანდ. ნ. კ-სა და მის მიმდებარე კ-ებზე. შვედ., დან. და ნორვ. ენები ერთმანეთთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ, ხოლო კუნძულების ს. ე. (ისლ. და ფარერული) გამოირჩევიან სპეციფ. თვისებებით, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკისა და გრამატ. წყობის არქაულობით. პირველი წერილობითი ძეგლები, რ-ებიც გამოხატავენ ს. ე-ის თავისებურებებს, არის VIII—XI სს. რუნიკული წარწერები (იხ. *რუნები*). უძველესი სკანდ. ხელნაწერები განეკუთვნება XII—XIII სს. დამწერლობა ეფუძნება ლათ. ანბანს.

სკანდირება (<ლათ. scando—განზომილად ვკითხულობ), სილაბურ-ტონური ტაეპის ხელოვნური კითხვა, რის შედეგადაც მკაფიოდ გამოიყოფა ლექსის ყველა მეტრული ნიშანი: ძლიერი მარცვლები ანუ ნორმით ნავარაუდევი სამახვილო პუნქტები, ცეზურა, ბოლო პაუზა (ტაეპთშორისი ცეზურა). ს. აადვილებს სალექსო საზომის ამოცნობას, მეტრულ ანალიზს. „ლექსის დეკლამაცია“ ხელოვნების სჯეროს განეკუთვნება, „ლექსის სკანდირება“ —მეცნიერებისას, კერძოდ, ლექსის თეორიას. *რ. ბერიძე.*

სკანდის ციხე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დას. საქართველოში, იმერეთში, ახლანდ. სოფ. სკანდის (თერჯოლის რ-ნი), ჩრდ მხარეს, მაღალ კლდოვან გორაკზე. მოღწეულია ნანგრევები. ს. ც. ააგო (IV ს.) ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ ქართლის საზღვარზე, მნიშვნელოვან გასაყარზე, რ-იც აღმ. საქართველოს ქვეშო იმერეთთან და შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. VI ს. I მეოთხედში, ირან-ბიზანტ. ომის წინა პერიოდში, 523, აქ ბიზანტიელთა გარნიზონი იდგა; მალე მათ დატოვეს ციხესიმაგრე, რ-საც უბრძოლველად დაეუფლნენ ირანელები (ეკავათ 532-მდე). ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ მომავალი გართულებების თავიდან ასაცილებლად ციხე დაანგრია. 540, ომის განახლების შემდეგ, ს. ც. ირანელებმა აღადგინეს და ეკავათ 562-მდე. ამის შემდეგ ს. ც-ის ისტორია უცნობია. XV ს-იდან იგი მოხსენიებულია როგორც სამეფო ციხე-დარბაზი. 1590 ეკავა ქართლის მეფე სიმონ I-ს. 1661 ს. ც-ში იდგა კახეთის მეფე თეიმურაზ I, რ-იც იქვე დააპატიმრა ქართლის მეფე ვახტანგ V-მ. XVIII ს-შიც ს. ც. იმერეთის სამეფოს მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო. შემდგომ ხანებში მან დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა.

1949 აქ ჩატარდა არქეოლ. სამუშაოები. ს. ც-ის ნანგრევებს უკავია 7000 *მ*² ფართობი. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ცენტრ. ნაგებობა აღმ. კედელი და ეკლესიის ფრაგმენტები (ერთ სვეტზე განირჩევა წარწერა); მოაღწია აგრეთვე გვირაბის (სიგრძე 64 *მ*) ნაშთმა. 1650 — 52 იმერეთის სამეფოში მყოფი რუს. ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის ცნობების თანახმად, ს. ც. შემოზღუდული იყო 20 *მ* სიმაღლის ოთხკუთხა გალავნით; კედლების საერთო სიგრძე 600 *მ*. გალავნის ოთხივე კედელში დატანებული იყო თითო კოშკი. ყოველ კოშკში 3 ქვემეხი იდგა. ციხის შიგნით სამსართულიან შენობაში იყო სამეფო ხაზინა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.



სკანდერბეგი.

სკანდიუმი (Scandium), Sc, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 21, ატ. მასა 44,956, $t_{დნ}$ 1539°C, $t_{დუღ}$ 2700°C, სიმკვრივე (α-ფორმის ს-ისა) 3020 *კგ*/*მ*³ (25°C); ყვითელი შეფერილობის მსუბუქი ლითონი. ცნობილია ს-ის ერთი ბუნებრივი მდგრადი იზოტოპი ^{45}Sc და ხელოვნური რადიოაქტ. იზოტოპები, რ-თაგან მნიშვნელოვანია ^{46}Sc ($T_{1/2}$ = 84 დღ-ღ). ს-ის არსებობა და თვისებები ნაწინასწარმეტყველები იყო დ. *მენდელეევის* მიერ (1870) „ეკაბორის“ სახელწოდებით, ხოლო შვედმა ქიმიკოსმა ლ. ნილსონმა (1840—1899) სკანდინავიაში (ლათ. Scandia) ნაპოვნი მინერალებისაგან მიიღო (1879) ს. (სახელწ. აქედანვეა). ს. ტიპური გაბნეული ელემენტია. დედამიწის ქერქში მისი საშ. შემცველობა მასის მიხედვით $2{,}2 \cdot 10^{-3}$%-ია. ცნობილია ს-ის მინერალები, რ-თაგან მნიშვნელოვანია ტორტვეიტიტი და სტერეტიტი. ს-ის ჟანგვის ხარისხია + 3, იშვიათად + 2. იგი ჰაერზე იფარება დამცავი ჟანგის აფსკით, წყალბადთან (450°C) წარმოქმნის ჰიდრიდს ScH_2, აზოტთან (ტემპ-რა 600—800°C)—ნიტრიდს ScN, ქლორთან (400—600°C)—ქლორიდს $ScCl_3$. მაღალ ტემპ-რაზე ს. ურთიერთქმედებს აგრეთვე სილიციუმთან, ბორთან; ადვილად იხსნება მარილ-, აზოტ- და გოგირდმჟავაში. ს-ის მარილების უმეტესობა ადვილად იხსნება წყალში. ს-ს ღებულობენ ს-ის შემცველი მადნებისა და ბოქსიტების დამუშავებით. ს-ის გამოყენების მასშტაბი შეზღუდულია. მის ნაერთებს იყენებენ ლუმინოფორების დასამზადებლად, მინისა და კერამიკის წარმოებაში, ქიმ. მრეწველობაში და სხვ.

ლიტ.: Борисенко Л. Ф., Скандий, М., 1961.

სკანირება (<ინგლ. scan — მხედველობის არე), სხივის ან ელექტრონთა კონის გარკვეული კანონის მიხედვით მართული სივრცითი გადანაცვლება. *ელექტრონულ-სხივურ მილაკებსა* და *ელექტრონულ მიკროსკოპებში* გამოყენებულია ელექტრონთა კონის ს., რ-იც გამოსახულებას წარმოქმნის. ინფორმაციის ოპტ. დამუშავების სისტემებში გამოყენებულია სინათლის სხივის ს-ის მოწყობილობა. რადიოლოკაციაში მიმართაული სივრცის მოცემული ზონის თანამიმდევ-



მ. სკარონი.



სკაროსები. ზღვის მელა (ქიცქიანი სკაროსი).



სკვითები. ჭურჭლის შეძოსაკრავი არწივის გამოსახულებით. ოქრო. ძვ. წ. VII—II სს. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

რულ დათვალიერებას (მიმოხილვას) რადიოლოკაციური სხივის საშუალებით. **სკანირება** რადიობიოლოგიაში, იმ რადიოაქტიური პრეპარატების განაწილების შესწავლა, რ-ებიც შეჰყავთ ადამიანის ანდა ცხოველის ორგანიზმში დიაგნოსტიკური, სამკურნ. ან კვლევის მიზნით. ს-ით მიიღება ორგანიზმის შინაგანი ორგანოებისა და სისტემების გამოსახულება, გვექმნება წარმოდგენა მათ მდებარეობაზე, ფორმაზე, ზომაზე, ხასიათზე, ფუნქციურ მდგომარეობასა და დაზიანების მოცულობაზე. ს-ის მეთოდი უსაფრთხო და მარტივია.

ნ. გელაშვილი.

სკაპოლითი (ბერძნ. skapos — სვეტი და ...*ლითი*), სილიკატების კლასის მინერალთა ჯგუფური სახელწოდება. წარმოადგენს $3Na[AlSi_3O_8] \cdot NaCl$ — $3Ca[Al_2Si_2O_8] \cdot (CaCO_3, CaSO_4)$ იზომორფული რიგის წევრებს. Na-იან საწყის წევრს ეწოდება მარიალითი, Ca-იანს — მეიონიტი. კრისტალდება ტეტრაგონურ სინგონიაში. კრისტალები სვეტისებრი აქვს, აგრეგატები — მკვრივი, მარცვლოვანი. თეთრი, ყვითელი, ლურჯი ან ვარდისფერია. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 5—6; სიმკვრივე 2500—2780 *კგ/მ*³. წარმოიქმნება Ca-ით მდიდარ მეტამორფულ ქანებში. მის ლურჯ სახესხვაობას— გლაუკოლითს იყენებენ როგორც სანაბეჭდავო ქვას.

სკარაბეუსი (ლათ. scarabeus), ფუნდურა ხოჭოს ერთ-ერთი სახეობა. გავრცელებულია ევრ. სამხრეთით, აზიის დას. ნაწილში და ჩრდ. აფრიკაში. ძვ. ეგვიპტეში ითვლებოდა მზის ღვთაების ერთ-ერთ გამოვლინებად. აქ ს-ის ფიგურას კვეთდნენ ძვირფასი ქვისა და მოჭიქული თიხისაგან. ატარებდნენ როგორც ამულეტს და სამკაულს.

სკარლატი (Scarlatti) ალესანდრო (2. V. 1660, პალერმო, — 24. X. 1725, ნეაპოლი), იტალიელი კომპოზიტორი, ნეაპოლური საოპერო სკოლის ფუძემდებელი. ცხოვრობდა ნეაპოლსა და რომში. იყო კაპელმაისტერი და პედაგოგი. სიცოცხლის ბოლო წლებში ასწავლიდა ნეაპოლის ერთ-ერთ კონსერვატორიაში. მოწაფეები ჯ. დ. *სკარლატი*, ა. ჰასე, ფ. დურანტე და სხვ. ავტორია 125 ოპერისა, 600-ზე მეტი კანტატისა, სასულიერო ნაწარმოებებისა და სხვ. საფუძველი ჩაუყარა ოპერა-სერიის ჟანრს, რ-იც ფართოდ გავრცელდა იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

სკარლატი (Scarlatti) ჯუზეპე დომენიკო (26. X. 1685, ნეაპოლი, — 23. VII. 1757, მადრიდი), იტალიელი კომპოზიტორი, ორგანისტი და კლავესინისტი. ა. *სკარლატის* შვილი და მოწაფე. მუშაობდა კაპელმაისტერად. უმთავრესი ნაწარმოებებია სონატები კლავესინისათვის („ეზერსისები"); შეიმუშავა კლავესინზე დაკვრის ვირტუოზული სტილი. მასვე ეკუთვნის 10-ზე მეტ ოპერა, საეკლ. მუსიკა და სხვ.

სკარნები, მეტასომატური ქანები, რ-ებიც აგებულია კალციუმის, მაგნიუმისა და რკინის სილიკატებისა და ალუმინსილიკატებისაგან. ს. წარმოიქმნება მაგმური და კარბონატული ქანების კონტაქტის ზოლში მაღალტემპ-რული მაგმატოგენური ხსნარების მოქმედების შედეგად. მთავარი ქანთმაშენი მინერალების შედგენილობის მიხედვით განარჩევენ კალციუმიან და მაგნიუმიან ს-ს. ს-ს ლინზისებრი ან ფენობრივი სხეულების ფორმა აქვს. ს-თან დაკავშირებულია რკინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ვოლფრამის, მოლიბდენისა და სხვ. სამრეწვ. საბადოები.

სკარონი (Scarron) პოლ (4. VII. 1610, პარიზი, — 7. X. 1660, იქვე), ფრანგი მწერალი. პირველი წიგნი — ბურლესკური ლუქსები 1643 გამოაქვეყნა. სახელი გაითქვა ვრცელი პოეტური ნაწარმოებებით „ტიფონი ანუ გიგანტომაქია" (1644) და „გარდასახული ვერგილიუსი" (1648—52), რ-ებითაც მან ევრ. პოეზიაში დაამკვიდრა ბურლესკისა და პოემა-ტრავესტის ან .ჟანრი. ს. გამოდიოდა კლასიციზმის ესთეტიკის წინააღმდეგ. თავისი პაროდიის ობიექტად აქცია ანტ. სიუჟეტები, და პრეციოზული ლიტ-რა. სახელი გაითქვა „კომიკური რომანით" (1651 — 57), რ-ის III, ბოლო ნაწილი დაასრულა ა. დ'ოფრემ. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ფრანგ. ყოფითი რეალისტური რომანი. დაწერილი აქვს მრავალი პიესა, ნოველები და სხვ. ს-ს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა.

სკაროსები (Batoidei), თევზების ქვეკლასი ზვიგენისნაირთა რიგისა. აქვთ შიშველი ან ქიცქებით დაფარული კანი, ხრტილოვანი ჩონჩხი. ს-ის უმრავლესობის თავი და ტანი შერწყმულია გაფართოებულ მკერდის ფარფლებთან და ქმნის დისკოს. ზურგის ფარფლები კუდზეა გადანაცვლებული (ზოგიერთ სახეობას სულ არა აქვს). ს-ის ქვეკლასი მოიცავს 10 (ზოგი მკვლევრის აზრით 15) ოჯახს. უმრავლესობა ბინადრობს ტროპ. და სუბტროპ. ზღვების სანაპირო ზოლში, თუმცა ნაწილი (ჩვეულებრივ ს.) გავრცელებულია ზომიერ და ცივ ზღვებში. არის აგრეთვე მტკნარი წყლის ფორმებიც (მაგ., სამხრ. ამერ. მდინარის სკაროსისებრნი). სსრკ-ში გვხვდება ს-ის 10 სახეობა, რ-ებიც ეკუთვნიან ჩვეულებრივ სკაროსისებრთა-და ზღვის კატისებრთა ოჯახებს. ბინადრობენ ბარენცის, თეთრ, შავ და შორეული აღმოსავლეთის ზღვებში. შავი ზღვის საქართვ. სანაპიროებთან გვხვდება ზღვის მელა ანუ ქიცქიანი ს. (Raja clavata) და ზღვის კატა (Dasyatis pastinaca). ჩვეულებრივ ცოცხლადმშობი ან კვერცხცოცხლადმშობი არიან, მხოლოდ ჩვეულებრივი ს. დებენ კვერცხებს. კვერცხის განვითარების ხანგრძლივობა 4,5—15 თვემდე გრძელდება. ნაყოფიერება 1-იდან რამდენიმე ათეულ ლიფსიტამდე მერყეობს. ს. იკვებებიან ფსკერის ცხოველებით. ს-ს აქვთ სარეწაო მნიშვნელობა: ხორცს იყენებენ საკვებად, ღვიძლიდან ადნობენ ტექ. ცხიმს.

მ. დემეტრაშვილი.

სკასი (Scassi) რაფაელო (1820-იანი წწ.), ნეაპოლელი (ზოგიერთი ცნობით, ფრანგი) მეწარმე. იმ მეწარმე-მზვერავთა რიცხვს ეკუთვნის, რ-ებიც ცდილობდნენ კავკასიაში რუსეთის კოლონ. რეჟიმის დამყარება დას. ევრ. კაპიტალის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამით განისაზღვრება მისი ცნობების (1820) შინაარსიც. აღწერილი აქვს აფხ. ბუნებრივი სიმდიდრეები (განსაკუთრებით, ტყე, ტყვიისა და ოქროს საბადოები), შემდეგ, სოხუმი, ბიჭვინთის ყურე, კელასური; ადგილ. საზ. წესწყობილება, დიდი გზა სამეგრელოსა და იმერეთის გავლით თბილისამდე; სამეგრელო და იმერეთი [რედუტ-კალე (ფულევი), ფოთი, ქუთაისი], ძალიან მოკლედ — ქართლი (გორი, სურამი, თბილისი).

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу. 1800—1830 гг., Тб., 1946.

სკენექტადი (Schenectady), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ნიუ-იორკის შტატში, მდ. მოჰოკის ნაპირზე. 68 ათ. მცხ., ახლომდებარე ქ-ებსა (ოლბანი, ტროი) და საგარეუბნო ზონასთან ერთად დაახლ. 800 ათ. (1980). მანქანათმშ. და ლითონდამუშავება: ელექტროტექ. მრეწვ., ძრავების, სამრეწვ. მოწყობილობის, რეაქტორების, რადიოაპარატურის წარმოება. ქიმ., სამკერვალო მრეწველობა. დაარსეს ჰოლანდიელებმა XVII ს. 60-იან წლებში.

სკეპარნა, დას. აბაზგიის მთავარი. მთავრად აურჩევიათ აბაზგებს 550 აღმ. აბაზგიის მთავარ ოფსიტესთან ერთად ბიზანტიელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის. ბიზანტიელთა დამსჯელი ლაშქრის მოსვლისას წასული ყოფილა ირანში დახმარების მისაღებად (იხ. სტ. *აბაზგების აჯანყება 550*).

წყარო: Прокопий Кесарийский, De bello gothico, წგნ.: გეორგიკა, ს., ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ა. ბოგვერაძე.

სკეპტიციზმი (ფრანგ. scepticisme < ბერძნ. skeptikos, სიტყვასიტყვით — გამომკვლევი, განმხილველი), ფილოსოფიური მიმართულება, რ-ის მიხედვით ადამიანი ვერასოდეს ვერ გადალახავს ეჭვს შემეცნებულის ჭეშმარიტების შესახებ და მუდამ ალბათობის სფეროში რჩება. მამამთავარია *პირონი*, რ-იც შეეცადა დოგმატიზმისაგან გაეთავისუფლებინა სოფისტების აგნოსტიციზმი. ელინიზმის ეპოქაში ს. აკადემიაშიც გაბატონდა (არკესილაე, კარნეადე). ს-ის არგუმენტები 10 ტროპის სახით ჩამოაყალიბა ენესიდემ. ისინი მიუთითებენ საგნის გრძნობადი შემეცნების დროს წარმოშობილ გადაულახავ სიძნელეებზე. აგრიპამ მათ დაუმატა 5 ტროპი, რ-ებიც რაციონალური შემეცნების სპეციფ. სიძნელეებს ეხებიან. ახ. ფილოსოფიაში ს. პროგრ. როლს თამაშობდა თეოლ. დოგმატიზმის წინააღმდეგ (მ. *მონტენი*) ბრძოლაში. რ. *დეკარტმა* ს. მისსაც დასაბრკოლებლად გამოიყენა. დ. *იუმმა* იგი გაავრცელა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი საგნების შემეცნებაზე, რაც ი. *კანტმა* მხოლოდ ნაწილობრივ გადალახა. ჰეგელის შემდგომ ბურჟ. ფილოსოფიაში ს. ირაციონალიზმთან ერთად ძლიერდება.

რამდენადაც ს. დოგმატური სისტემების ნაკლზე მიუთითებდა, იგი დადებით როლს ასრულებდა. მაგრამ თანამიმდევრული ს. თავად იქცევა აგნოსტიკურ დოგმატიზმად, რადგან ერთადერთ უდავო ჭეშმარიტებად საკუთარ პრინციპს აღიარებს. ნაწილობრივი ს. დაიყვანება სრულ ს-ზე.

ლიტ.: წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968; Рихтер Р., Скептицизм в философии, пер. с англ., т. 1, СПб., 1910; Секст Эмпирик, Сочинения в 2-х томах, М., 1975—76.

გ. თევზაძე.

სკერცო (იტალ. scherzo, სიტყვასიტყვით — ხუმრობა) 1. სახუმარო ხასიათის ტექსტზე შექმნილი ერთხმიანი ან მრავალხმიანი ვოკალური პიესის სახელწოდება XVI—XVII სს. იტალიაში. 2. *კაპრიჩოს* მსგავსი საკრავიერი პიესა. XVIII ს. დასასრ. შეიცვალა სონატურ-სიმფონიურ ციკლში (სიმფონია, სონატა, კვარტეტი და ა. შ.).

ს-ს ახასიათებს ჩქარი ტემპი, მუს. აზრის თავისუფალი მონაცვლეობა, მუს. ზომა 3/4 ან 3/8. *ბურლესკის* მსგავსად იუმორისტული ხასიათისაა (მხიარული ხუმრობიდან — გროტესკამდე). ჩვეულებრივ, ს. იწერება სამწყრილიანი რეპრიზული ფორმით. კლასიკური ტიპი ჩამოაყალიბა ლ. ბეთჰოვენმა. ს-ს საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ფ. შუბერტმა, ფ. მენდელსონმა, ფ. შოპენმა, ა. ბრუკნერმა, პ. ჩაიკოვსკიმ, ა. ბოროდინმა, ს. პროკოფიევმა, დ. შოსტაკოვიჩმა და სხვ.

სკეტჩი (ინგლ. sketch, სიტყვასიტყვით— ესკიზი, მონახაზი), XIX—XX სს. დასაწყისში მცირე პიესა ორ ან სამპერსონაჟიანი. ს-თვის დამახასიათებელია სწრაფი მოქმედება, პარადოქსულობა, ფარსისმაგვარი სიუჟეტი, სიტუაციის კომიზმი, სიტყვის მოკლედ მოჭრა, გონებამახვილობა. ს-მა დიდი განვითარება პოვა ესტრადაზე. ს-ქებს წერდნენ ჯ. ბარი, ბ. შოუ, ჯ. პრისტლი (დიდი ბრიტანეთი), უ. საროიანი, ჯ. ტერბერი (აშშ), ჟ. კურტელინი (საფრანგეთი), ვ. არდოვი, გ. გორინი, ა. არკანოვი, მ. ჟვანეცკი, ვ. პოლიაკოვი, ვ. პატარაია, მ. გოგიაშვილი, რ. ფენია, ნ. ხუნწარია (სსრკ) და სხვ.

სკვაირი, ესკვაირი (ინგლ. squire, esquire < ლათ. scutarius — ფარისმტვირთველი), ადრინდელ შუა საუკუნეების ინგლისში რაინდის საჭურველმტვირ-

თველი, შემდეგ — პირი, რ-საც არ ჰქონდა რაინდის წოდება, მაგრამ ფლობდა რაინდის ფეოდს. გვიანდ. ფეოდ. ხანასა და ახლა საპატიო აზნაურული ტიტული. ყოველდღიურ ცხოვრებაში იხმარება „ჯენტლმენის“ მნიშვნელობით.

სკვანა, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (ხიხაძირის სოფსაბჭო), არსიანის ქედის დას. კალთაზე, მდ. სხალთის ზემოთში. ზ. დ. 1340 *მ*, ხულოდან 34 *კმ*. ხიხაძირის ი. გაგარინის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა). დაწყ. და რვაწლ. სკოლები, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი.

სკვარცინა, სკუარცინა (Squarzina) ლუიჯი (18. II. 1922, ლივორნო), იტალიელი რეჟისორი და დრამატურგი. 1946 დაამთავრა რომის ეროვნ. დრამ. ხელოვნ. აკადემია. 1952 რომში შექმნა „იტალიური ხელოვნების თეატრი“, რ-საც მეთაურობდა ვ. გასმანთან ერთად. ს. დგამდა სპექტაკლებს დრამ. და საოპერო თეატრებში. მისი პიესებიდან აღსანიშნავია: „მისი როლი ისტორიაში“ (1955), „რომანიელი ქალიშვილი“, („რომანიოლა“, 1957), „ხუთი დღე პორტში“ (1968, ვ. ფაჯისთან ერთად), „8 სექტემბერი“ (1972, ე. დე ბერნარტთან და რ. ძანგრანდისთან ერთად) და სხვ.

სკვითები, ძველირანული ტომები, მოსახლეობდნენ ჩრდ. შავიზღვისპირეთში. ძვ. წ. VII ს-ში ს-მა *კიმერიელები* გამოდევნეს და მათი ტერიტ. დაიკავეს. ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობით, სახლობდნენ დნეპრსა და დონის სტეპებში, ეწეოდნენ მომთაბარეობას, მისდევდნენ მესაქონლეობას. IV ს-ში ჩამოყალიბდა ს-ის სახელმწიფო. ს-ის ხელოვნებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ჩრდ. შავიზღვისპირეთში. გათხრების შედეგად ნაპოვნია ოქროს, ვერცხლის, რკინის, ბრინჯაოს ნივთები, ირმის, ღოსის, თხის, მტაცებელი ფრინველების, ფანტასტ. ცხოველებისა და სხვ. გამოსახულებებით. ძვ. წ. IV—III სს-ში გამოსახულებებმა ორნამენტულხაზობრივი სახე მიიღო. გორასამარხებში ნაპოვნია აგრეთვე ქვის სქემატურგამოსახულებიანი ნივთებიც. მნიშვნელოვანი კედლის მხატვრობის ნიმუშები იპოვეს ს-ის ნეაპოლში.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

სკვითიანები, ძველი დასავლურ-ქართველური ტომი. უძველესი და ყველაზე სრული ცნობები ს-ის შესახებ დაცულია ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტის „ანაბასისში“. ს. ბინადრობდნენ მდ. ჭოროხის დას-ით, პონტოს ტავრის სამხრ. კალთებზე, ტრაპეზუნტის ხაზამდე. ს-ის სახელი დაცულია პონტოს ტავრის ამ ნაწილის უძველეს სახელწოდებაშიც — „სკვიდისში“. ტერმ. „ს-ს“ საფუძვლად უდევს დასავლურ-ქართველური (მეგრულ-ჭანური) რიცხვითი სახელი შქვითი (შვიდი). ბერძნულში „შ“ ბგერის უქონლობის გამო თავკიდური ბგერა „ს“-ს“ შესაბამისი ბერძნ. სიგმითაა გადმოცემული. *სტრაბონის* „გეოგრაფიაში“ მოცემულია სკვიდისის კალთებზე მცხოვრებთა სახელწოდების ბერძნ. შესატყვისი — ჰეპტაკომეტაი, რაც შვიდსოფლელებს ნიშნავს, ხოლო თურქ. გეოგრ. ნომენკლატურაში შემონახულია ამ ადგილის სახელი კურასებაა, რაც ასევე 7 სოფელს ნიშნავს. ეთნ. სახელის ს-ის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს 7 ეთნიკურ-სოციალური ერთეულის გაერთიანებასთან ერთ დიდ ეთნიკურ-პოლიტიკურ ერთეულად (ძვ. წ. V ს. დასასრ.). ამ გაერთიანების სათავეში ერთი მმართველი იდგა. ადმ. ცენტრი იყო ქ. გვიმნიასი. „ანაბასისში“ გვიმნიასი მოხსენიებულია დიდ, მდიდარ და ხალხმრავალ ქალაქად (ასეთი ეპითეტებით ქსენოფონტი მცირე აზიის მრავალ ქალაქთაგან მხოლოდ 3-ს იხსენიებს). იქვე ჩამოთვლილია ჭირნახულით მდიდარი სოფლებიც. როგორც ჩანს, ს-ის ერთობა სახელმწიფოს ტიპის გაერთიანება იყო, რ-მაც დიდხანს ვერ იარსება. გვიანდ. წყაროები ასეთ ერთეულს აღარ ასახელებენ.

ლიტ.: მიქელაძე თ., სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითინები), «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1957, ტ. 19, № 5; მისივე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 1, თბ., 1960 (თხზ., ტ. 1, თბ., 1979); Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

თ. მიქელაძე.

სკვითური ენა, განეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფის ჩრდ.-აღმოსავლურ შტოს. აერთიანებს სკვითურ-სარმატულ დიალექტებს, რ-ებიც გავრცელებული იყო დუნაიდან კასპიისზღვისპირეთამდე ძვ. წ. VIII ს-იდან ახ. წ. V ს-მდე. ს. ე-ზე ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. შემონახულია მხოლოდ ეპიგრაფიკული ძეგლები და საკუთარი სახელები. ს. ე-ის მემკვიდრეა თანამედროვე ოსური ენა.

ლიტ.: Абаев В. И., Скифский язык, მის წგნ.: Осетинский язык и фольклор, в. 1, М.—Л., 1949.

სკვიმნია, დას. საქართველოს ერთ-ერთი მხარის — ლეჩხუმის სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით. ს. ეგრისის ადრინდ. ფეოდ. საელმწიფოს ერთ-ერთი ადმ. ერთეული იყო. შემდგომში იგი თანდათან აღმ. ქრთულ სახელმწიფოს — ქართლს დაუახლოვდა პოლიტიკურად და კულტურულად. იხ. სტ. *ლეჩხუმი.*

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, [ტ.] 1—2, თბ., 1977—80.

დ. მუსხელიშვილი.

სკვინჩა (Fringilla coelehs), ფრინველი *ბეღურასნაირთა* რიგისა. ტანად პატარაა. მამლის თავი ნაცრისფერია, ზურგი — ყავისფერი, აქა-იქ მწვანე ურევია, მკერდი ღვინისფერ-წითელია; ფრთებზე დიდი თეთრი ხალები აქვს. დედალი უფრო ბაცია. გავრცელებულია ევროპაში, დას. აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. სსრკ-ში, კერძოდ საქართველოში, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრინველია. ბინადრობს ყველა ტიპის ტყესა და ანთროპოგენურ ლანდშაფტში. აპრ-ში დებს 3—6 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 2 კვირამდე. ზოგჯერ მეორედ ბუდობს ივნ-ში. იკვებება მცენარეების მწვანე ნაწილებით, თესლებით, ზაფხულში — მწერებით, ობობებით, სხვა უხერხემლოებით. ს. კარგი მგალობელი ჩიტია.

რ. ჟორდანია.

სკვირა, ქალაქი უკრ. სსრ კიევის ოლქში, კიევიდან 121 *კმ*. სკვირის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო ტოტის ბოლო სადგური კიევ—კაზატინის ხაზზე. მსუბუქი და კვების მრეწვ. საწარმოები.

სკვირეთი, ძვ. ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული — ხევი, რ-იც სამშვილდის საერისთავოში შედიოდა და მას ჩრდ-იდან საზღვრავდა. მოიცავდა დაახლ. ახლანდ. მდ. ვერისხევობას. ს-ის უძველესი ცენტრი საკურეთის ციხე პირველად მოიხსენიება X ს. სომხ. წყაროებში; აქედანვე მიიღო ხევმა სახელწ. „ს.“ XIII ს-ში ს. (სკორეთის ხევი) დემეტრე II თავდადებულის მეუღლის მამული იყო. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) ს-ში რამდენიმე ციხეს ასახელებს: წვერის ციხეს, ლასტის ციხესა და რკინის ციხეს; ს-ში შედიოდა აგრეთვე ბეთანიის მონასტერი და ლურჯი მონასტერი (ამჟამად თბილ. ფარგლებშია).

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979.

დ. მუსხელიშვილი.

სკვორცოვ-სტეპანოვი ივანე ივანეს ძე (ნამდვ. გვარი სკვორცოვი, ლიტ. ფსევდ. — ი. სტეპანოვი) [24. II (8. III). 1870, ბოგოროდსკი, ახლანდ. ნოგინსკი, მოსკ. ოლქი,—8. X. 1928, სოჭი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ისტორიკოსი, ეკონომისტი, კომპარტიის წევრი 1896-იდან. 1890 დაამთავრა მოსკ. სამასწავლებლო ინ-ტი. რევ. მოძრაობაში ჩაება 1891-იდან. არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1905 რსდმპ მოსკ. კომიტეტის ლიტერატორ-ლექტორთა ჯგუფის წევრი. რსდმპ IV ყრილობის დელეგატი. 1907 და 1911 სახელმწ. სათათბიროს არჩევნებში — წევრობის კანდიდატი ბოლშევიკებისაგან. 1914—17 ჩაბმული იყო პარტ. მუშაობაში მოსკოვში. 1917 თებ. რევ. შემდეგ მოსკ. საბჭოს გაზ. „იზვესტიას“ რედაქტორი, რსდმპ (ბ) მოსკ. კომიტეტის წევრი. მოსკ. სახელმწ. სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის თავ-რე. 1917 ოქტ. დღეებში მოსკ. სამხ. რევკომის წევრი. აქტიურად იბრძოდა *ტროცკიზმისა* და *„ახალი ოპოზიციის“* წინააღმდეგ. იყო დიდი საბჭ. ენციკლოპედიის I გამოცემის მთავარი რედაქციის წევრი, პარტიის X—XV ყრილობების დელეგატი.




სკვითები. ბალთა ქალღმერთის გამოსახულებით. ოქრო. ძვ. წ. VII—II სს. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

სკიაპარელი (Schiaparelli) ჯოვანი ვირჯინიო (14. III. 1835, სავილიანო, პიემონტი, — 4. VII. 1910, მილანი), იტალიელი ასტრონომი. 1854 დაამთავრა ტურინის უნ-ტი. 1859—60 მივლინებული იყო პულკოვოს ობსერვატორიაში პრაქტ. ასტრონ. და დაკვირვების შედეგების დამუშავების მეთოდების შესასწავლად. 1860-იდან მუშაობდა ბრერის ობსერვატორიაში მილანში (1862—1900 დირექტორი). აქვს შრომები ასტრონ ისტორიის, მეტეოროლოგიის, მათემატიკის საკითხებზე. იკვლევდა ორმაგ ვარსკვლავებს, აკვირდებოდა მერკურსა და ვენერას. დაამტკიცა მეტეორების კავშირი კომეტებთან (მაგ., პერსეიდებისა კომეტასთან 1862 III). 1877 მარსზე შენიშნა ბადის მსგავსი დეტალები, რ-ებსაც „არხები“ უწოდა; წამოაყენა მათი ხელოვნურობის ჰიპოთეზა, რ-იც ჩვენს დროში უარყოფილია.



სკვინჩა.

სკიატრონი [ბერძნ. skia — ჩრდილი და (*ელექ*)ტრონი], მუქი ჩანაწერის მქონე *ელექტრონულ-სხივური მილაკი* (ეკრანზე მიიღება მუქი გამოსახულება თეთრ ფონზე). ს-ის მოქმედება ემყარება ზოგიერთი კრისტალის (მაგ., სოდალიტის) თვისებას ელექტრონებით დაბომბვის შედეგად შეიცვალოს თავისი შუფერილობა. ს-ს შეუძლია ინფორმაციის ხანგრძლივად შენახვა კაშკაშა განათებულობის პირობებში. იგი ჩაწერილი ინფორმაციის ვიზუალური დაკვირვებისა და დიდ ეკრანზე დაპროექციების საშუალებას იძლევა. ს-ს იყენებენ ინფორმაციის ამსახველ რადიოლოკაციურ და სატელევიზიო მოწყობილობებში, მთვარის ზედაპირის გამოსახულების დიდ ეკრანზე ვიზუალური დაკვირვებისათვის და სხვ.



ი. სკვორცოვ-სტეპანოვი.


სკიპრი, ტანსაცმლისათვის განკუთვნილი სახურავიანი დიდი ყუთი. საქართვ. ზოგიერთ კუთხეში სამზითვო ნივთი იყო. ტერმ. „ს.“ ძვ. წერილობით ძეგლებში არ იხსენიება, ს-ის იდენტური ფუნქციის დგამს წყაროებში კიდობანი ჰქვია.

ლიტ.: ბედუკიძე ლ., ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973; გარდაფხაძე-ჭოჭოძე ფ., მასალები ლეჩხუმური სკივრის შესახებ, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 1955, ტ. 7.

ლ. ბედუკიძე.

„სკითიკა ეტ კაუკაზიკა“ (ლათ. Scythica et Caucasica), ასე ეწოდება შემოკლებით ვ. ლატიშევის რედაქციით გამოსულ კრებულს—„ძველი მწერლების, ბერძნებისა და რომაელების ცნობები სკვითეთისა და კავკასიის შესახებ“, I ტომი, ბერძენი მწერლები, გამოქვეყნდა 1893 პეტერბურგში, ხოლო II, რომაელი მწერლები, — 1900, იქვე.

ნაწრომში თავმოყრილია ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები სკვითეთისა და კავკასიის შესახებ, პარალელურად მოცემულია რუს. თარგმანი მცირეოდენი



სკიერი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

კომენტარებითა და დედნების კითხვასხვაობებით. ტექსტებს წინ უძღვის მოკლე, არსებითი ხასიათის ცნობები თითოეულ მწერალზე. ტექსტების დიდი ნაწილი თარგმნილია თვით ვ. ლატიშევის მიერ, ზოგი კი — ი. ბერეჟკოვის, ა. მალეინის, ს. მირონშნიკოვის, პ. პროზოროვისა და სხვ. მიერ, მაგრამ ამ ნაწილების საბოლოო რედაქციაც ვ. ლატიშევს ეკუთვნის. კრებულში წარმოდგენილი არიან ბერძენი და რომაელი მწერლები, ჰომეროსიდან მოყოლებული ახ. წ. V ს-მდე. „ს. კ-ს“ დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს სკვითიისა და ძვ. კავკასიის ისტორიის შესასწავლად. ვ. ლატიშევის კრებულის ბერძნ.-ლათ. ტექსტების მხოლოდ რუს. თარგმანი, შემოწმებული ს. კონდრატიევის მიერ, შევსებული და გადანაწილებული ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით და ახ. სამეცნ. აპარატითურთ (რ-იც შეასწორა და შეავსო ლ. ელნიცკიმ) „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი-ს“ 1947—49-ის ნომრებში გამოქვეყნდა დამატების სახით. *თ. ყაუხჩიშვილი.*

სჩიჯლა (ყოფ. ფილიპვილი), ქალაქი ალჟირში, სკიკდის ვილაიის ადმ. ცენტრი. 132 ათ. მცხ. (1977). მნიშვნელოვანი სამრეწვ.-სატრანსპ. ცენტრი. რკინიგზის სადგური. ნავსადგური ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. გააქვთ ნავთობი, ბოსტნეული, სუბტროპ. ხილი. კვების, ნავთობქიმ., ნავთობგადასამუშ. მრეწვ. საწარმოები. თესი. ნავთობსადენ მესდარ—ს-ის ბოლო პუნქტი (640 *კმ*).

სჩინდორი, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (პერევისის სოფსაბჭო), ჭიათურის პლატოზე, მდ. საძალიზეის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 540 *მ*, ჭიათურიდან 10 *კმ*. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი.

სჩინ-ეფექტი (ინგლ. skin — კანი, გარსი), ზედაპირული ეფექტი, ელექტრომაგნიტური ტალღების მილევა გამტარი გარემოს სიღრმეში მათი შეღწევისას, რის გამოც, მაგ., ცვლადი დენი გამტარის განივკვეთში ან ცვლადი მაგნ. ნაკადი მაგნ. წრედის განივკვეთში ვრცელდება არა თანაბრად, არამედ უპირატესად ზედაპირულ შრეში. ს.-ე. განპირობებულია იმით, რომ ელექტრომაგნ. ტალღები გამტარ გარემოში გავრცელებისას წარმოქმნის გრიგალურ დენებს, რის შედეგადაც ელექტრომაგნ. ენერგიის ნაწილი გარდაიქმნება სითბოდ. ეს კი გამოიწვევს ელექტრული და მაგნ. ველების დაძაბულობათა და დენის სიმკვრივის შემცირებას, ე. ი. ტალღების მილევას.

რაც უფრო მაღალია ელექტრომაგნ. ველის ν სიხშირე და მეტია გამტარის μ მაგნ. შეღწევადობა, მით უფრო ძლიერია (მაქსველის განტოლებების შესაბამისად) გრიგალური ელექტრული ველი, შექმნილი ცვლადი მაგნ. ველით, ხოლო რამდენადაც მეტია გამტარის კუთრი გამტარობა (σ), იმდენად მეტია დენის სიმკვრივე და მოცულობის ერთეულში გაბნეული სიმძლავრე (ომისა და ჯოულ—ლენცის კანონების შესაბამისად). ამრიგად, რაც უფრო მეტია ν, μ და σ მით უფრო მეტია მილევა, ე. ი. უფრო მკვეთრად გამომჟღავნდება ს.-ე.

„სჩინტეია“ („Scînteia“ — „ნაპერწკალი“), ყოველდღიური გაზეთი, რუმინ. კპ ცკ-ის ორგანო. გამოდის ბუქარესტში 1931 წ. 15 აგვ-დან. ტირაჟი 1,8 მლნ. (1984).

სჩიპა (Schipa) ტიტო (2. I. 1889, ლეჩე, — 16. XII. 1965, ნიუ-იორკი), იტალიელი მომღერალი (ლირ. ტენორი). ა. ჯერუნდასა და ე. პიკოლის მოწაფე. მუს. მოღვაწეობა დაიწყო როგორც საფორტეპიანო პიესებისა და სიმღერების ავტორმა. ს-ს, როგორც მომღერლის, დებიუტი შედგა 1910 ვერჩელიში (ალფრედის პარტია ვერდის „ტრავიატაში“). მღეროდა იტალიისა და სხვა ქვეყნების სცენებზე. საუკეთესო პარტიები: ალმავივა (როსინის „სევილიელი დალაქი“), ედგარი, ერნესტი, ნემორინო (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, „დონ პასკუალე“, „სიყვარულის ნექტარი“), ვერთერი (მასნეს „ვერთერი“) და სხვ. საოპერო სცენის დატოვების (1955) შემდეგ გამოდიოდა კონცერტებით (1958-მდე), ეწეოდა ვედ. მოღვაწეობას. 1957 თავ-რეობდა ვოკალისტთა კონკურსის ჟიურის ახალგაზრდობის საერთაშ. ფესტივალზე მოსკოვში. ს. ავტორია ოპერეტისა „პრინცესა ლიანა“ (1929). გადაღებულია მუს. ფილმებში.

სჩივალო (Cephalaria gigantea), ბალახოვანი მცენარე გოქშოსებრთა ოჯახისა. მაღალი (1,5—2 *მ*-მდე) ღერო აქვს. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია ხერხკბილა სეგმენტებად. საყვავილე თავაკები დიდია, გვირგვინი — მონაცრისფრო-ყვითელი. გავრცელებულია კავკასიაში. საქართველოში ყველგან იზრდება ხმის შუა და ზედა სარტყელში, გვხვდება ალპურ -სარტყელშიც; მაღალბალახეულობის ერთ-ერთი კომპონენტია. თაფლოვანი მცენარეა. ს-ს ყვავილებისაგან ამზადებენ ყვითელ საღებავს, რ-იც იხმარება შალეულის შესაღებად, ხალიჩების წარმოებაში.

სჩივი (ინგლ. skip), ფხვიერი მასალის ასაწევი ჭურჭელი; იყენებენ შახტიდან სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის ამოსაწევად, ბრმიდში კაზმის ჩასატვირთად, საქვაბეში ქვანახშირის მისაწოდებლად და ა. შ.; ვერტ. ჭაურში ს. მოძრაობს ბაგირის ან რელსების მიმართველებზე, დახრილ ჭაურებში კი — რელსებზე (ბორბლებით). ს-ის ძირითადი ნაწილებია ძარა, ჩარჩო და მისაბმელი მოწყობილობა. განტვირთვის ხერხის მიხედვით განასხვავებენ საყირაო და გასახსნელფსკერიან ს-ებს.

სჩივიჩარი, ბელეკონის ზეთი, მკვეთრი სუნის მქონე უფერული ან მოყვითალო გამჭვირვალე სითხე, tდუღ 153—180°C, სიმკვრივე 855—863 *კგ/მ*^{3}; იხსნება ორგ. გამხსნელებში, წყალში კი — არა. ჰაერზე ადვილად იჟანგება. ძირითადად ღებულობენ ძვივის გამოხდით (წყლის ორთქლით). ს. ტერპენული ნახშირწყალბადების მრავალკომპონენტიანი ნარევია. მისი შედგენილობა ძირითადად ნედლეულზეა დამოკიდებული. იყენებენ მრეწველობაში (ლაქ-საღებავი მასალის გამხსნელად, ნედლეულად ქაფურის, ტერპინჰიდრატის, საზეთი ზეთის, სურნელოვანი ნივთიერებების, ინსექტიციდებისა და სხვათა წარმოებაში), მედიცინაში (ტკივილგამაყუჩებელ და ანტისეპტიკურ საშუალებად და სხვ.).

სჩიტალეცი (ნამდვ. გვარი პეტროვი) სტეფანე გაბრიელის ძე [28. X (9. XI). 1869, სოფ. ობშაროვკა, ახლანდ. პრიოვოლჟიეს რ-ნი, კუიბიშევის ოლქი, — 25. VI. 1941, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. ლიტ. სარბიელზე გამოვიდა XIX ს. ბოლოს. განიცადა მ. გორკის ძლიერი გავლენა. მისი შემოქმედება გამსჭვალულია დემოკრ. სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ს-ის ლექსებს. 1922—34 საზღვარგარეთ გაატარა. ავტორია ავტობიოგრ. ტრილოგიისა: რომანები „ჩერნოვეების სახლი“ (1935) და „ბორკილები“ (1940), მოთხრობა „ეტაპები“ (1908, ახ. რედაქცია 1937).

სჩიუდერი (Scudéry, Scudéri) მადლენ დე (1607, ჰავრი, — 2. VI. 1701, პარიზი), ფრანგი მწერალი ქალი. *პრეციოზული ლიტერატურის* წარმომადგენელი. 1630 პარიზში ჩავიდა. შექმნა ლიტ. სალონი. წერდა გალანტურ-ჰეროიკულ რომანებს [„არტამენი ანუ დიდი კიროსი“ (ტ. 1—10, 1649—53), „კლელია ანუ რომის ისტორია“ (ტ. 1—10, 1654—61), „ალმაჰიდი ანუ დედოფალი-მონა“ (ტ. 1—8, 1660—63), „მატილდ დ' აგილარი“ (1667)]. მას ეკუთვნის აგრეთვე ტრაქტატი „საუბარი ზნეობაზე“ (1680—92), არაკები, ლექსები და სხვ.

სჩკპ, *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის* შემოკლებული სახელწოდება.

სჩკპ ცკრილობა, *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის* უმაღლესი ორგანო. იწვევს სკკპ ცკ არა უგვიანეს 5 წელიწადში ერთხელ. ყრილობის მოწვევა და დღის წესრიგი ცხადდება ყრილობამდე არა უგვიანეს თვენახევრით ადრე. წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს სკკპ ცკ. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობებს იწვევს პარტიის ცკ საკუთარი ინიციატივით ან უკანასკნელ პარტ. ყრილობაზე წარმოდგენილი პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით. რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობას იწვევენ 2 თვის ვადაში და კანონიერად ითვლება, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის ყველა წევრის სულ ცოტა ნახევარი მაინც (იხ. სკკპ წესდება, § 30).

ყრილობა ისმენს და ამტკიცებს ცკ-ის, ცენტრ. სარევიზიო კომისიის და სხვა ცენტრ. ორგანიზაციების ანგარიშებს, გადასინჯავს, ცვლის და ამტკიცებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, განსაზღვრავს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხაზს, განიხილავს და წყვეტს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ირჩევს ცკ-ს და ცენტრ. სარევიზიო კომისიას (იქვე, § 32).

პარტიის ყრილობები ტარდება ფართო დემოკრ. საფუძველზე, დელეგატების არჩევნები ხდება დახურული (ფარული) კენჭისყრით.

ყრილობის გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა პარტ. ორგანიზაციისათვის, პარტიის ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატისათვის.

სჩკპ XIX ყრილობა, მიმდინარეობდა 1952 წ. 5—14 ოქტ. მოსკოვში. ესწრებოდა 1192 დელეგატი გადამწყვეტი და 167—სათათბირო ხმით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 6013259 წევრსა და 868886 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდნენ 44 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები. დღის წესრიგი: სკკ კპ (ბ) ცკ-ის ანგარიში (მომხსენებელი გ. მალენკოვი); ცენტრ. სარევიზიო კომისიის ანგარიში (პ. მოსკატოვი). პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრკ სახ. მეხრნ. V ხუთწლიანი გეგმის (1951—55) შესახებ (მ. საბუროვი); საკ. კპ(ბ) წესდებაში ცვლილებების შესახებ (ნ. ხრუშჩოვი); ცენტრ. პარტ. ორგანოების არჩევნები. ყრილობაზე შეჯამდა იმ უდიდესი მუშაობის შედეგები, რ-იც ჩაატარა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭ. ხალხმა XVIII ყრილობის შემდეგ 13 წლის განმავლობაში.

ყრილობამ მოგვცა მსოფლიო არენაზე კლასობრივ ძალთა განლაგების დახასიათება და აღნიშნა, რომ II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ შეიქმნა 2 ძირითადი მსოფლიო სოც.-პოლიტ. ბანაკი: სოციალ.-დემოკრ. და იმპერიალ.-რეაქციული. ახ. მძლავრი გაქანება მიიღო ეროვნ.-განმათ. მოძრაობამ კოლონ. და დამოკიდებულ ქვეყნებში. ყრილობამ დაამტკიცა სსრკ განვითარების V ხუთწლიანი გეგმის (1951—55) დირექტივები.

ყრილობამ შეუცვალა პარტიას სახელწოდება: ნაცვლად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა), დაერქვა საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტია. ყრილობამ მიიღო პარტიის ახ. წესდება; ცვლილებები შეიტანა ცენტრ. პარტ. ორგანოების სტრუქტურაში დაადგინა ყრილობათა მოწვევისა და ცკ-ის პლენუმების ჩატარების ახ. ვადები; ცკ-ის პოლიტბიურო გარდაიქმნა ცკ-ის პრეზიდიუმად. პარტ. კონტროლის კომისია გადაკეთდა სკკპ ცკ-თან არსებულ პარტ. კონტროლის კომიტეტად. გაუქმდა სრუ-

ლიად საკავშ. პარტ. კონფერენციების მოწვევა. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია არსებული პარტიის პროგრამის გადამუშავება, რისთვისაც შეიქმნა კომისია. სკკპ ცკ-ის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 125 წევრი და 111 კანდიდატი, ცენტრ. სარევიზიო კომისიაში—37 წევრი. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ი. სტალინი.

ლიტ.: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973; КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, 8 изд., т. 6, М., 1971.

გ. ნადირაძე.

სკკპ XX ყრილობა, მიმდინარეობდა 1956 წ. 14—26 თებ. მოსკოვში. ესწრებოდა 1349 დელეგატი გადამწყვეტი, 81—სათათბირო ხმით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 6795896 წევრსა და 419609 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდნენ საზღვარგარეთის 55 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები. დღის წესრიგი: სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება (ნ. ხრუშჩოვი); სკკპ ცკ-ის სარევიზიო კომისიის ანგარიში. სსრკ სახ. მეურნ. განვითარების VI ხუთწლიანი გეგმის (1956—60) დირექტივები (ნ. ბულგანინი); პარტიის ცენტრ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ მოიწონა ცკ-ის პოლიტ. კურსი, პრაქტ. მოღვაწეობა, წინადადებები და დასკვნები, რ-ებსაც შეიცავდა საანგარიშო მოხსენება საერთაშ. და საშინაო საკითხებთან დაკავშირებით.

ყრილობამ დაახასიათა 2 დაპირისპირებული მსოფლიო საზ. სისტემის (სოციალ. და კაპიტალ.) განვითარების შედეგები. ეპოქის მთავარი ნიშანია ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გაფართოების შედეგად გაღრმავდა იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის რღვევის პროცესი, მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, მისი პოზიციები განუხრელად შესუსტდა, ხოლო სოციალიზმის პოზიციები გაძლიერდა.

II მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო მოვლენების ანალიზის საფუძველზე ყრილობამ ჩამოაყალიბა მთელი რიგი ახ. თეორ. დებულებანი, რ-თაც გაამდიდრეს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია. ყრილობამ დააკონკრეტა სხვადასხვა საზ. წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები; განიხილა საკითხი პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ.

ყრილობამ მიიღო სსრკ სახ. მეურნ. განვითარების VI (1956—60) ხუთწლიანი გეგმის დირექტივები; დაავალა სკკპ ცკ-ს პარტიის ახ. პროგრამის პროექტის შემუშავება; მიიღო დადგენილება სკკპ წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ. ყრილობამ აირჩია სკკპ ცკ 133 წევრისა და 122 კანდიდატის, აგრეთვე ცენტრ. სარევიზიო კომისია 63 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973; XX съезд КПСС. Стеногр. отчет, т. 1—2, М., 1956.

გ. ციციშვილი.

სკკპ XXI ყრილობა (რიგგარეშე), გაიმართა 1959 წ. 27 იანვ. — 5 თებ. მოსკოვში, ესწრებოდა 1261 დელეგატი გადამწყვეტი, 106 — სათათბირო ხმით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 7622356 წევრსა და 616775 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდნენ საზღვარგარეთის 72 კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგატები. დღის წესრიგი: სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1959—65 წწ. საკონტროლო ციფრების შესახებ (მომხსენებელი ნ. ხრუშჩოვი). ყრილობამ მოიწონა ცკ-ის საქმიანობა და მის მიერ გატარებული ლონისძიებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ყრილობამ დაამტკიცა სსრკ სახ. მეურნ. განვითარების გეგმის (1959—65) საკონტროლო ციფრები და განსაზღვრა პარტიის ამოცანები: ეკონ. დარგში — ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ყოველმხრივი განვითარება. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე ეკონ. ყველა დარგში ისეთი დონის მიღწევა, რ-იც საშუალებას მოგვცემდა გადამწყვეტი ნაბიჯი გადაგვედგა კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შესაქმნელად, უზრუნველგვეყო სსრკ გამარჯვება კაპიტალ. ქვეყნებთან მშვიდობიან ეკონ. შეჯიბრებაში, ხალხის მზარდი მატერ. და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება; პოლიტიკის დარგში — საბჭ. სოციალ. წყობილების, დემოკრატიის, კომუნისტურ მშენებლობაში ხალხის ფართო მასების აქტივობისა და თვითშემოქმედების განვითარება, საზ. ორგანიზაციათა ფუნქციების გაფართოება, პარტიისა და სახელმწიფოს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლის ამაღლება, სსრკ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცება; იდეოლოგიის დარგში — პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება; საერთაშ. ურთიერთობის დარგში — მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების პოლიტიკის განუხრელი გატარება, სხვადასხვა სოც. სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე მსოფლიო სოციალ. სისტემის განმტკიცება, ანტიიმპერიალ. ძალებისა და მოძმე ხალხების ურთიერთობის უზრუნველყოფა.

ლიტ.: სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები, თბ., 1959; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973.

დ. ლორთქიფანიძე.

სკკპ XXII ყრილობა, მიმდინარეობდა 1961 წ. 17—31 ოქტ. ესწრებოდა 4394 დელეგატი გადამწყვეტი და 405 — სათათბირო ხმით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 8872516 წევრსა და 843489 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდა 80 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნ.-დემოკრ. პარტიათა დელეგაციები. დღის წესრიგი: სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება (ნ. ხრუშჩოვი); ცენტრ. სარევიზიო კომისიის ანგარიში (ა. გორკინი); სკკპ პროგრამის პროექტი (ნ. ხრუშჩოვი); სკკპ წესდებაში ცვლილებათა შესახებ (თ. კოზლოვი); პარტიის ცენტრ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ მოიწონა სკკპ ცკ-ის პოლიტ. კურსი და პრაქტ. მოღვაწეობა, მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა (იხ. *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა*). საანგარიშო მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭ. ქვეყნის ძლიერება კიდევ უფრო განმტკიცდა, განუზომლად გაიზარდა მისი როგორც მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლის, საერთაშორისო ავტორიტეტი. ყრილობამ შემდგომ განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის მთელი რიგი თეორ. დებულებები, რ-თაც უდიდესი აქტუალური მნიშვნელობა აქვთ განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პირობებში.

საშინაო პოლიტიკის დარგში ყრილობამ აღნიშნა ჩვენი ქვეყნის მრეწველობასა და სოფ. მეურნეობაში მოპოვებული მიღწევები. მეცნიერულად გააანალიზა არსებული ნაკლოვანებები, ჩამოაყალიბა ღონისძიებანი ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანების შესასრულებლად. ყრილობამ მიიღო *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება* ახ. რედაქციით, რ-შიც განსაზღვრულია კომუნისტის ძირითადი უფლება-მოვალეობანი, ჩამოყალიბებულია სკკპ ორგანიზაციული პრინციპები. ყრილობამ აირჩია ცკ 175 წევრისა და 155 კანდიდატის, ცენტრ. სარევიზიო კომისია 65 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973.

ა. კობაიძე.

სკკპ XXIII ყრილობა, მიმდინარეობდა 1966 წ. 29 მარტ. — 8 აპრ. მოსკოვში. ესწრებოდა 4 620 დელეგატი გადამწყვეტი და 323—სათათბირო ხმით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 11 673 676 წევრსა და 797403 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდა საზღვარგარეთის 86 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნ.-დემოკრ. და მემარცხენე სოციალ. პარტიების დელეგაციები. დღის წესრიგი: სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება (ლ. ბრეჟნევი), ცენტრ. სარევიზიო კომისიის ანგარიში (ნ. მურავიოვა), სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1966—70 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ (ა. კოსიგინი); პარტიის ცენტრ. ორგანოების არჩევნები. საანგარიშო მოხსენებაში შეჯამებული იყო პარტიისა და საბჭ. ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის შედეგები საანგარიშო პერიოდში. ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო ჩვენი ქვეყნის საერთაშ. მდგომარეობის საკითხებს, მთელი დამაჯერებლობით იყო ნაჩვენები, რომ თანამედროვე ეპოქაში ისტ. განვითარების მთავარ მიმართულებას განსაზღვრავს სოციალ. სისტემა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო „სკკპ XXIII ყრილობის განცხადება აშერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო ვიეტნამში", რ-შიც დაგმო აშშ-ის აგრესია მოძმე ვიეტ. ხალხის წინააღმდეგ და მოუწოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტებს, პროგრესისა და დემოკრატიის მომხრე ადამიანებს გაერთიანონ მთელი ძალები გმირი ვიეტ. ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის. ყრილობამ სავსებით მოიწონა პარტიის საგარეო პოლიტ. საქმიანობა, მხარი დაუჭირა სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში დასახულ ღონისძიებათა პროგრამას.

ანალიზი გაუკეთა რა სსრკ საშინაო მდგომარეობას, ყრილობამ აღნიშნა ის გრანდიოზული მუშაობა, რ-იც გასწია საბჭ. ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახ. მეურნ. განვითარების 1959—65 შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის. აქვე აღინიშნა, რომ დიდ წარმატებებთან ერთად ზოგიერთი მაჩვენებლების მიხედვით (ქიმ. პროდუქტებისა და მანქანების წარმოების დავალებანი და სხვ.) შვიდწლიანი გეგმა ვერ შესრულდა. ჩამორჩენამ სას.-სამ. წარმოებაში უარყოფითი გავლენა მოახდინა მსუბუქი და კვების მრეწვ. ზრდის ტემპებზე. ამ უარყოფითი ფაქტების მიზეზებად ყრილობამ მიიჩნია ნაკლოვანებანი სახ. მეურნ. მართვაში, ხელმძღვანელობის სწორი ეკონ. მეთოდებისა და სამეურნეო ანგარიშის შეუფასებლობა, მატერ. და მორალური სტიმულირების არასრული გამოყენება, სუბიექტური მიდგომა მთელ რიგ ეკონ. პრობლემათა გადაჭრისადმი და ა. შ. ყრილობამ დაამტკიცა დირექტივები სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1966—70 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რ-შიც განსაზღვრული იყო ძირითადი მიმართულებანი სახ. მეურნ. ყველა დარგში, ხალხის კულტ. და მატერ. ცხოვრების დონის ამაღლებაში, სსრკ საგარეო ეკონ. ურთიერთობაში. ყრილობამ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან განიხილა პარტიის მოღვაწეობა, განავითარა ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ და დასახა მისი ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტ. განმტკიცებისა და კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის ხელმძღვ. როლის შემდგომი ამაღლებისა და გაძლიერების ღონისძიებანი. ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ ცკ მტკიცედ ახორციელებდა პარტ. ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტ. ხელმძღვანელობის ამოცანების ზუსტად დაცვის ბაზს, რომ პარტიამ გამოასწორა დიდმნიშვნელოვანი ეკონ. და პოლიტ. პრობლემების გადაჭრისადმი სუბიექტივისტურად მიდგომას-

თან, პარტ., საბჭ. და სამეურნეო აპარატის გაუმართლებელ გარდაქმნასთან დაკავშირებული შეცდომები. ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო პარტიის იდეურ-პოლიტ. მუშაობის გაძლიერებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების საკითხებს, მიიღო დადგენილება „სკკპ წესდების ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ", წესდებაში შეიტანა დებულება იმის შესახებ, რომ პარტიის ყრილობებს შორის პერიოდში სკკპ ცკ-ს საჭიროების მიხედვით შეუძლია მოიწვიოს სრულიად საკავშ. პარტ. კონფერენცია, ხოლო მოკავშირე რესპ. კომპარტიების ცკ-ებს — რესპ. პარტ. კონფერენციები; ყრილობის გადაწყვეტილებით სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმი გარდაიქმნა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროდ, ხოლო მიმდინარე მუშაობისათვის, უმთავრესად კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაციის დარგში შეიქმნა სკკპ ცკ-ის სამდივნო. დადგინდა, რომ სკკპ ცკ ირჩევს სკკპ ცკ-ის გენ. მდივანს. ყრილობამ აირჩია სკკპ ცკ 195 წევრისა და 165 კანდიდატის და ცენტრ. სარევიზიო კომისია 79 კაცის შემადგენლობით.

ლიტ.: სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973.

მ. ჯინჭველაშვილი.

სკკპ XXIV ყრილობა, მიმდინარეობდა 1971 წ. 30 მარტ. — 9 აპრ. მოსკოვში. ყრილობაზე დასასწრებლად არჩეული იყო 4740 დელეგატი გადამწყვეტი და 223 — სათათბირო ხმის უფლებით, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 13810089 წევრსა და 645232 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე საზღვარგარეთის 91 ქვეყნის 102 კომუნისტური, მუშათა, ეროვნ.-დემოკრ. და მემარცხენე სოციალ. პარტიის წარმომადგენლები. დღის წესრიგი: სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება (ლ. ბრეჟნევი); სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება (გ. სიზოვი); სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1971—75 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ (ა. კოსიგინი); პარტიის ცენტრ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცკ-ის პოლიტ. ხაზი და პრაქტ. საქმიანობა, წინადადებები და დასკვნები, რ-ებსაც შეიცავდა სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება; მიიღო რეზოლუცია სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენების გამო და დადგენილება სკკპ წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ; დაამტკიცა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1971—75 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ყრილობამ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან ღრმად გააანალიზა ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობა, კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტ. საქმიანობა და განსაზღვრა ჩვენი პარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს საგარეო პოლიტ. კურსი. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრკ საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა სხვა სოციალ. ქვეყნებთან ერთად უზრუნველყოს ნორმალური საერთაშ. მდგომარეობა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის. ყრილობამ აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია შემდგომშიც თანამიმდევრულად განახორციელებს კაპიტალ. ქვეყნების მუშათა მოძრაობასთან ერთიანობისა და ინტერნაც. სოლიდარობის პოლიტიკას; დასახა ეროვნ.-განმათ. მოძრაობისა და განთავისუფლებული ქვეყნებისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერის და დახმარების ღონისძიებანი, წამოაყენა მშვიდობისა და საერთაშ. თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათის ბრძოლის გაშლილი პროგრამა; მიიღო მიმართვა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!" და განცხადება „ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის!" ყრილობამ მთლიანად მოიწონა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სკკპ ცკ-ის მიერ წამოყენებულ მშვიდობის პროგრამას. ყრილობამ გაანალიზა ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის თავდადებული შრომის მეოხებით პარტიის ხელმძღვანელობით გადაიდგა ახ. დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების გზაზე. სულ უფრო მტკიცდება საბჭ. სახ-ბის ერთიანობა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. სოციალ. მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახ. ისტ. ერთობა — საბჭ. ხალხი.

დირექტივებში სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1971—75 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ განსაზღვრულია IX ხუთწლედის მთავარი ამოცანა: „უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების ჩქარაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე" („სკკპ XXIV ყრილობის მასალები", გვ. 52, თბ., 1971). ყრილობამ მთლიანად მოიწონა ხალხის ცხოვრების მატერ. და კულტ. დონის ამაღლების ფართო პროგრამა.

ყრილობამ ეკონ. პრობლემების გადაწყვეტის ამოცანებთან ერთად დასახა ღონისძიებანი საბჭ. სახელმწიფოს განმტკიცების, სოციალ. დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, საზ-ბის პოლიტ. ორგანიზაციის მთელი სისტემის, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზ. ორგანიზაციების როლის ამაღლების, საბჭ. კანონმდებლობის დაცვისა და სახელმწ. აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ყრილობამ ნაწილობრივი ცვლილებები შეიტანა სკკპ წესდებაში და საწარმოთა პარტ. ორგანიზაციებთან ერთად ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება მიანიჭა სამეცნ.-კვლ. ინტების, სასწავლებლების, კულტ.-საგანმ. დაწესებულებების, საპროექტო ორგანიზაციების და სხვ. პირველად პარტ. ორგანიზაციებს; ყრილობამ მიიჩნია, რომ შემდგომში კვლავ უნდა გაუმჯობესდეს პარტიის რიგების თვისებრივი შედგენილობა, შინაპარტ. დემოკრატია და დისციპლინა, ზუსტად უნდა იქნეს დაცული პარტ. ცხოვრების ლენინური ნორმები, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები. ყრილობამ ნათლად დაადასტურა პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობა, ჩვენი პარტიის ინტერნაც. სოლიდარობა სოციალიზმის ყველა ქვეყანასთან, მთელი მსოფლიოს კომუნისტებთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლთან. ყრილობამ აირჩია სკკპ ცკ 241 წევრისა და 155 კანდიდატის, ცენტრ. სარევიზიო კომისია 81 კაცის შემადგენლობით.

ლიტ.: სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971.

მ. ჯინჭველაშვილი.

სკკპ XXV ყრილობა, მიმდინარეობდა 1976 წ. 24 თებ.—5 მარტ. მოსკოვში. ესწრებოდა 4998 დელეგატი, რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 15058017 წევრსა და 636170 წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდა აგრეთვე 93 ქვეყნის 103 კომუნისტი, მუშათა, ეროვნ.-დემოკრ. და სოციალ. პარტიების წარმომადგენლები. დღის წესრიგი: სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში (ლ. ბერეჟნევი); სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის ანგარიში (გ. სიზოვი); სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1976—80 წწ. ძირითადი მიმართულებანი (ა. კოსიგინი), პარტიის ცენტრ. ორგანოების არჩევნები.

სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ პარტია თანამიმდევრულად ახორციელებდა მსოფლიო სოციალ. სისტემის განმტკიცების, სოციალ. ქვეყნებთან სსრკ-ის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტ. ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე საერთაშ. მუშათა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების კურსს.

ყრილობამ განსაზღვრა პარტიის ამოცანები საერთაშ. ასპარეზზე. ეს იყო მშვიდობისა და საერთაშ. თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

ყრილობამ შეაჯამა საბჭ. ხალხის შემოქმედებითი შრომით მიღწეული წარმატებები IX ხუთწლედში; დააკონკრეტა განვითარებული სოციალიზმის პირობების შესაბამისად პარტიის ეკონ. პოლიტიკის პრინციპული საფუძვლები, განსაზღვრა ეკონ. სტრატეგიის ხანგრძლივი ორიენტაცია, წამოაყენა მეცნიერულად დასაბუთებული როგორც უახლოესი წლების, ისე ხანგრძლივი პერსპექტივების სტრატეგიული პროგრამა, დაასაბუთა ეკონ. პოლიტიკის საკვანძო პრობლემები, დასახა საზ. წარმოების შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებანი, მეურნ. ინტენს. მეთოდებზე გადასვლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების გზები.

ყრილობამ ეკონ. განვითარების პრობლემებთან განუყოფელ კავშირში დასახა საბჭ. სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, საბჭ. დემოკრატიის გაღრმავების, საზ-ბის პოლიტ. სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის როლის ამაღლების, საბჭ. კანონმდებლობის სრულყოფისა და სოციალ. მართლწესრიგის განმტკიცების გზები.

ყრილობამ შეაჯამა პარტიის თეორ. საქმიანობის, საზ. მეცნ. დარგში კვლევის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები და განსაზღვრა მათი ძირითადი მიმართულებანი და პრობლემები. ყრილობამ ახლებურად დააყენა პარტ. მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის მთელი რიგი საკითხები.

სკკპ XXV ყრილობა გადაიქცა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მსოფლიო კომუნისტურ, მუშათა და ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში ისტ. მნიშვნელობის მოვლენად. ყრილობამ აირჩია სკკპ ცკ 287 წევრისა და 139 კანდიდატის და ცენტრ. სარევიზიო კომისია 85 წევრის შემადგენლობით.

ლიტ.: სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; ჟვანია გ., კოჭლავაშვილი ა., თევთაძე შ., ლენინური პარტიის XXV ყრილობა, თბ., 1977.

შ. თევთაძე.

სკკპ XXVI ყრილობა, მიმდინარეობდა 1981 წ. 23 თებ.—3 მარტ. მოსკოვში. ესწრებოდა 5002 დელეგატი, რ-ებიც წარმოადგენდნენ 17480 000 წევრს და წევრობის კანდიდატს. ყრილობას ესწრებოდა აგრეთვე 109 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნ.-დემოკრ. და სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების 123 დელეგაცია. დღის წესრიგი: სკკპ ცკ-ის ანგარიში სკკპ XXVI ყრილობისადმი და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში (ლ. ბრეჟნევი); სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის ანგარიში (გ. სიზოვი); სსრკ ეკონ. და სოც. განვითარების 1981—85 წწ. და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი (ნ. ტიხონოვი), პარტიის ცენტრ. ორგანოების არჩევნები. ყრილობამ სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ

ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რ-ითაც შეფასდა და სავსებით მოიწონა პარტიის ცკ-ის ლენინური კურსი და პრაქტ. საქმიანობა. ყრილობამ წინადადება მისცა ყველა პარტ. ორგანიზაციას თავიანთ მუშაობაში ეხელმძღვანელათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში იმ დებულებებითა და ამოცანებით, რ-ებიც წამოყენებული იყო სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში. ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის ანგარიში; ყოველმხრივ განიხილა სსრკ ეკონ. და სოც. განვითარების 1981—85 წწ. და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ყრილობამ სკკპ ცკ-ს დაავალა საჭირო დამატებებისა და ცვლილებების შეტანა პარტიის მოქმედ პროგრამაში, რ-იც მთლიანად და სწორად განსაზღვრავს მსოფლიო საზ. განვითარების კანონზომიერებებს, კომუნიზმისათვის პარტიისა და საბჭ. ხალხის ბრძოლის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს, სკკპ პროგრამის ახ. რედაქციის მომზადება პარტიის მორიგი ყრილობისათვის. ამასთან, აღინიშნა, რომ პროგრამაში მეცნიერულად უნდა აისახოს უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი საბჭ. საზ-ბის ცხოვრებასა და მსოფლიო საზ. განვითარებაში, განსაზღვროს კომუნიზმის მშენებლობის უმთავრესი ამოცანები. სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში ღრმად და ყოველმხრივ არის გაანალიზებული ჩვენი ქვეყნის განვითარების შედეგები საზ. ცხოვრების ყველა სფეროში — ეკონ., სოც.-პოლიტ. და სულიერ დარგში, პარტიის პოლიტ., ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, მსოფლიოს თანამედროვე ვითარება. ყრილობამ მიუთითა, რომ პარტია განუხრელად იბრძოდა მსოფლიო სოციალ. სისტემის განმტკიცების, სოციალ. ქვეყნებთან სსრკ-ის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების; მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტ. ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის. ყრილობამ შეაჯამა საბჭ. ხალხის უდიდესი წარმატებები X ხუთწლედში, აღნიშნა, რომ IX ხუთწლედთან შედარებით ეროვნ. შემოსავალი გაიზარდა 400 მლრდ. მანეთით, მრეწვ. პროდუქცია — 717 მლრდ. მანეთით. ამოქმედდა 588 მლრდ. მანეთის ძირითადი ფონდები. აშენდა 1200-ზე მეტი დიდი სამრეწვ. საწარმო. მუშა-მოსამსახურეთა საშ. ხელფასი გაიზარდა თითქმის 16%-ით და კოლმეურნეთა შემოსავალი საზ. მეურნეობისაგან — 26%-ით. 50 მლნ-ზე მეტმა კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. გაძლიერდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაცია, კომპლ. მექანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია. მთლიანად IX და X ხუთწლედებში მიღებულია 272 მლრდ. მანეთით მეტი ღირებულების სოფ. მეურნ. პროდუქცია, ვიდრე წინა 2 ხუთწლედში. ყრილობამ X ხუთწლედის შედეგების კრიტ. და მეცნ. ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა პარტიის ეკონ. და სოც. განვითარების ამოცანები ახ. ხუთწლედსა და 1990 წლამდე პერიოდისათვის, შეიმუშავა მათი განხორციელების ღონისძიებათა სისტემა, განიხილა საბჭ. საზ., სოც.-პოლიტ. და სულიერი განვითარების აქტუალური საკითხები. ეკონ. განვითარების პრობლემებთან განუყოფელ კავშირში დასახა საბჭ. სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი დაახლოებისა და აყვავების, საბჭ. დემოკრატიის გაღრმავების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვის, ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების ამაღლების გზები და ამოცანები. ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო სოციალ. ცხოვრების წესის მატერ. და სულიერი საფუძვლების განმტკიცებას, ახ. ადამიანის ჩამოყალიბებას; აღინიშნა, რომ საჭიროა მუდმივი ზრუნვა საბჭ. ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების, ვაჭრობისა და საზ. კვების, საწარმოო მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის, სახ. განათლების სისტემის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზ. კულტ. და სპორტის შემდგომი სრულყოფისათვის. ყრილობამ გააანალიზა პარტიის იდეოლ. მუშაობა და განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე პოლიტ.-აღმზრდელობითი საქმიანობის გარდაქმნის ძირითადი პრობლემები, განაზოგადა პარტ. მუშაობის პრაქტიკა და ახლებურად დააყენა ორგანიზაციულ-პარტ. საქმიანობის აქტუალური საკითხები. აღინიშნა, რომ განვითარებულ სოციალ. საზ-ბაში იზრდება პარტიის როლი. პარტია დღენიადაგ სრულყოფს ეკონ., საზ. ცხოვრების სხვა სფეროების ხელმძღვანელობის მეთოდებს. ავითარებს შინაპარტ. დემოკრატიას, განუხრელად იცავს დემოკრ. ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპს; დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელთა წერილებისა და წინადადებების განხილვას, შინაპარტ. ინფორმაციის სისტემის სრულყოფას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას, კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებას და სხვ. ყრილობამ სკკპ ცკ-ის შემადგენლობაში აირჩია. 319 წევრი და 151 კანდიდატი, ცენტრ. სარევიზიო კომისიაში—75 წევრი.

ლიტ.: სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981. *შ. თეთვაძე.*

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი ორგანო, რ-იც პარტიას ხელმძღვანელობს ყრილობიდან ყრილობამდე. ცკ-ის წევრებსა და ცკ-ის წევრობის კანდიდატებს ირჩევენ სკკპ ყრილობებზე.

სკკპ ც. კ. პოლიტ. ხელმძღვანელობის ორგანოა, თეორ. და იდეოლოგიური ცენტრია. ცკ-ის მნიშვნელობას არაერთხელ უსვამდა ხაზს ვ. ი. ლენინი. თავის მუშაობაში ცკ ხელმძღვანელობს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებით და მასვე აბარებს ანგარიშს. ცკ-ის ფუნქციებს განსაზღვრავს სკკპ წესდება, რ-შიც აღნიშნულია, რომ ცკ ხელმძღვანელობს პარტიის, ადგილ. პარტ. ორგანოების მთელ საქმიანობას, ახორციელებს ხელმძღვ. კადრების შერჩევასა და განაწილებას, წარმართავს მშრომელთა ცენტრ. სახელმწიფოებრივი და საზ. ორგანიზაციების მუშაობას ამ ორგანიზაციათა პარტ. ჯგუფების მეშვეობით, ქმნის პარტიის სხვადასხვა ორგანოს დაწესებულებებსა და საწარმოებში და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას, ნიშნავს თავისი კონტროლით მომუშავე ცენტრ. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, ანაწილებს პარტ. ბიუჯეტის სახსრებს და კონტროლს უწევს მის შესრულებას. სკკპ ც. კ. არის სკკპ-ის წარმომადგენელი სხვა პარტიებთან ურთიერთობაში.

სკკპ ც.კ. წარმოადგენს ავტორიტეტულ ორგანოს, აქვს ფართო რწმუნებანი, სარგებლობს პარტიის წევრთა საყოველთაო ნდობით. ცკ-ის შემადგენლობაში ირჩევენ გამოჩენილ პარტ. და სახელმწ. მოღვაწეებს, საშეურნეო და ადმ. ორგანოების მუშაკებს, წარმოების მოწინავეებს, მეცნ. და კულტ. მოღვაწეებს და ა. შ. ცკ-ის პლენუმებზე ირჩევენ *სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს, სკკპ ცკ-ის სამდივნოს,* სკკპ ც. კ. *გენერალურ მდივანს.* ცკ-ის პლენუმებზე მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი, სკკპ ცკ-ის მიმართვა სსრკ და სხვა ქვეყნების მშრომელებისადმი 1 მაისისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის დღეებში. 1943-მდე პარტიის ცკ-ის ასეთი მიმართვები ქვეყნდებოდა საკ. კპ (ბ) ცკ-ის ორგანოების სახელწოდებით. მოწოდებებში თავის გამოხატულებას პოვებს სკკპ და საბჭ. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მიმართავს რა მისალმებით სსრკ და სხვა სახელმწიფოების მშრომელებს, სკკპ ცკ მოუწოდებს მათ განამტკიცონ ინტერნაც. კავშირი, მშრომელთა ყურადღება მიაპყრონ კომუნისტური მშენებლობის ჭელაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, *სკკპ ცენტრალური კომიტეტის* წევრებისა და წევრობის კანდიდატების მთელი შემადგენლობის სხდომა. სკკპ წესდების თანახმად, მორიგი ყრილობის შემდგომ ცკ-ის I პლენუმი ირჩევს სკკპ ცკ-ის *გენერალურ მდივანს, სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს, სკკპ ცკ-ის სამდივნოს.* ცკ-ის წევრობის კანდიდატები პლენუმზე მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით. პლენუმს ესწრებიან *სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის* წევრები. პლენუმების რეგულარულად ჩატარება არის ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა. პლენუმებზე განიხილება პარტიის, ხალხის, სახელმწიფოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები: პარტ. ორგანოებისა და პარტ. ორგანიზაციების მუშაობის სრულყოფის საკითხები, ეკონ., კულტ. მშენებლობის, საბჭ. დემოკრატიის, საგარეო პოლიტიკის მორიგი ამოცანები. სკკპ ც. კ. პ-ზე დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშ. კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებას, ბურჟ. იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. პლენუმის გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ყველა პარტ. ორგანიზაციისათვის. პარტ. ორგანიზაციები და მშრომელები ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად სახავენ კომუნისტური მშენებლობის კონკრ. ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სკკპ ცკ-ის პოლიტბიურო, ხელმძღვანელი პარტიული ორგანო, რ-საც ირჩევს ცკ პარტიის ხელმძღვანელობისათვის ცკ-ის პლენუმებს შორის პერიოდში. მის შემადგენლობაში შედიან უმაღლესი პარტ. და სახელმწ. ორგანოების ხელმძღვანელები, გამოჩენილი და გამოცდილი პოლიტ. მოღვაწეები. პირველად ცკ-ის პოლიტბიურო ვ. ი. ლენინის მეთაურობით შეიქმნა რსდმპ (ბ) ცკ-ის სხდომაზე 1917 წ. 10(23) ოქტ. შეიარაღებული აჯანყების პოლიტ. ხელმძღვანელობისათვის. როგორც მუდმივმოქმედი ორგანო არსებობს პარტიის VIII ყრილობიდან (1919). პოლიტბიუროს სხდომებზე წყდება დიდმნიშვნელოვანი პოლიტ., სამეურნეო და შინაპარტ. საკითხები, რ-თა დიდ ნაწილს განხილვისათვის ამზადებს *სკკპ ცკ-ის სამდივნო.* ცალკეული საკითხების დამუშავებისათვის პოლიტბიურო ქმნის სპეც. კომისიებს. პარტიის XIX ყრილობაზე (1952) მიღებული სკკპ წესდების თანახმად, საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურო გადაკეთდა *სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმად.* პარტიის XXIII ყრილობამ (1966) სკკპ წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ დადგენილებით კვლავ აღადგინა სახელწოდება „სკკპ ცკ-ის პოლიტბიურო", რომორც პარტიის უმაღლესი პოლიტ. ორგანოს ხასიათის სრულად გამომხატველი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, ხელმძღვანელი პარტიული ორგანო, რ-საც ირჩევდა სკკპ ცკ, ხელმძღვანელობდა პარტიის ცკ-ს პლენუმებს შორის. პირველად შეიქმნა 1952 წ. 16 ოქტ. სკკპ ცკ-ის პლენუმზე პარტიის XIX ყრილობაზე მიღებული სკკპ წესდების შესაბამისად, საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს ნაცვლად. პარტიის XXIII ყრილობის დადგენილების შესაბამისად, 1966 წ. 8 აპრ. კვლავ შეიქმნა *სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროდ.*

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, პარტიული ორგანო, რ-საც ირ-

ჩევს *სკკპ ცკ-ის პლენუმი* მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის, ძირითადად კადრების შერჩევისა და მუშაობის შესრულების შემოწმების ორგანიზაციისათვის (იხ. სკკპ წესდება, 1976, § 38). სამდივნო ახორციელებს ოპერატიულ საქმიანობას ცკ-ის აპარატის, მისი განყოფების დახმარებით. სამდივნო, როგორც ხელმძღვ. კოლეგია, ცკ-ის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა რკპ (ბ) IX ყრილობის (1920) შემდეგ. 1919-იდან სამდივნოს შემადგენლობაში დაწესდა პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობა, 1922-იდან — გენ. მდივნისა, 1953—66-იდან პირველი მდივნისა. 1966 აპრ. აღდგენილ იქნა სკკპ ცკ-ის *გენერალური მდივნის* თანამდებობა.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისია (ცსკ), პარტიული ორგანო, რ-საც ირჩევს სკკპ ყრილობა. ამოწმებს პარტიის ცენტრ. ორგანოების საქმიანობას, სკკპ ცკ-ის სალაროს და დაწესებულებებს (პარტ. სკოლები, გამომცემლობები და ა. შ.) (იხ. სკკპ წესდება, 1976, § 36). კომისია პერიოდულად იწვევს სხდომებს. პირველად დაწესდა რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე. რკპ (ბ) XI ყრილობამ დაამტკიცა, „სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის დებულება". რკპ (ბ) XII ყრილობიდან (1923) მოყოლებული, ყველა ყრილობაზე ისმენენ კომისიის ანგარიშს და ირჩევენ მის ახ. შემადგენლობას. სკკპ XXVI ყრილობაზე (1981) აირჩიეს სკკპ ცსკ 75 წევრის შემადგენლობით, თავ-რე გ. სიზოვი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ერთიანი საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო სსრკ-ში, რ-იც არსებობდა 1962 ნოემბრიდან 1965 დეკ-მდე. პარტ.-სახელმწ. კონტროლის ორგანოები შემდეგ გადაკეთდნენ *სახალხო კონტროლის* ორგანოებად.

სკლადანოვსკი (Skladanowsky) მაქს (30. IV. 1863, ბერლინი, — 30. II. 1939, იქვე). გერმანელი გამომგონებელი, კინემატოგრაფის ერთ-ერთი შემქმნელი. 1895 გამოიგონა ფილმის გადამღები და საპროექციო აპარატი „ბიოსკოპი", გადაილო 1,5 *მ* სიგრძის რამდენიმე ფილმი, შემდგარი თითო 48 კადრისაგან („იტალიური გლეხური ცეკვა", „აკრობატები", „ჟონგლიორი" და სხვ.), და პირველად უჩვენა 1895 ნოემბ. ბერლინში. 1895—96 ამ ფილმების დემონსტრირება მოაწყო გერმანიაში, ჰოლანდიაში, დანიასა და შვეიცარიაში.

სკლერა (< ბერძნ. sklēros — მაგარი), თეთრი გარსი, თვალის კაკლის გარეთა მკვრივი შემაერთებელქსოვილოვანი გარსი. ს-ის უკანა ნაწილი ერთვის მხედველობის ნერვის ბუდეს და შესამჩნევად სქელდება (1 *მმ*-მდე). ს-ზე არის მიმაგრებული თვალის მამოძრავებელი კუნთების მყესები. თვალის გარეთა ფიბროზული გარსის წინა 1/6 სავსებით გამჭვირვალე რქოვანაა. რქოვანას და ს-ს საზღვარზე, თეთრი გარსის სისქეში გაივლის ირგვლივი ვენური არხი (შლემისა), რ-იც ატარებს თვალის ნამს წინა კამერიდან. იხ. აგრეთვე *თვალი*.

ვ. აბაშიძე.

სკლერაიდები, მცენარის მექანიკური ქსოვილის — *სკლერენქიმის* სტრუქტურული ელემენტები. წარმოიქმნებიან პარენქიმული, ძირითად პროზენქიმული უჯრედებისაგან სკლერიფიკაციის შედეგად. ს-ის შრეებიან, ხშირად მინერალიზებულ კედლებში მრავალი ფორის არხია. ს-ის უფრო გავრცელებული ტიპია გაქვავებული უჯრედები — ბრაქისკლერეიდები.

სკლერენქიმა (ბერძნ. sklēros — მაგარი და enchyma — ამოსხმული; აქ — ქსოვილი), მცენარის მექანიკური ქსოვილი, რ-იც შედგება 2 ტიპის სქელკედლიანი, ხშირად გახეთებული უჯრედებისაგან — ბოჭკოებისა და *სკლერეიდებისაგან*. ბოჭკოები წაგრძელებული უჯრედებია, რ-თაც წაწვეტებული ბოლოები და შრეებიანი ფოროვანი კედლები აქვთ. გაუხეთებელი ცელულოზისგარსიანი ბოჭკოები (მაგ., სელისა) საფეიქრო მრეწვ. ძვირფასი ნედლეულია. სიმტკიცით ს-ის ბოჭკო არ ჩამოუვარდება ფოლადს, დრეკადობით და ელასტიკურობით — კაუჩუკს. ბოჭკოების რაოდენობასა და განლაგებაზეა დამოკიდებული მცენარის ორგანოების მექან. სიმტკიცე გადაღუნვის, შეკუმშვისა და დაჭიმვისადმი.

სკლერიტი, თვალის *სკლერის* ანთება, უმეტესად იწვევს რევმატიზმი, ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, ვირუსული და სხვა ინფექციური დაავადებები. ახასიათებს თვალის მწვავე გაღიზიანება, ტკივილი და სკლერაში ინფილტრატის გაჩენა, ხშირად დაერთვის *კერატიტი* და ირიდოციკლიტი. მხედველობა ჩვეულებრივ არ არის დაზიანებული. მკურნალობა: ანტიბიოტიკები, ჰორმონული პრეპარატები; ადგილობრივად — სითბო, ფიზიოთერაპია, კორტიკოსტეროიდები.

სკლერო... (< ბერძნ. sklēros—მაგარი), რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს გამაგრებას, გასქელებას. მაგ., *სკლეროდერმია, სკლერომეტრია*.

სკლეროდერმია (*სკლერო...* და *დერმა*), დაავადება *კოლაგენური დაავადებების* ჯგუფისა; ახასიათებს შემაერთებელ ქსოვილსა და წვრილ სისხლძარღვებში სისტემური სკლეროზული ცვლილებები. ვითარდება თანდათანობით; დასაწყისში აღინიშნება კიდურების, სხეულისა და სახის კანის შეშუპება, კიდურების სისხლძარღვთა სპაზმი, სახსრების ტკივილი, სხეულის გარკვეული უბნების გახეთება, შემდგომ—კანის სკლეროზი, გამკვრივება და ატროფია, რაც იწვევს სახსრების მოძრაობის შეზღუდვას. შორისული ქსოვილისა და შინაგანი ორგანოების სისხლძარღვების პათოლ. პროცესში ჩათრევის შედეგად ვითარდება ფიბროზული ცვლილებები შინაგან ორგანოებში — გულში, თირკმლებში, ფილტვებში, საჭლაპავ მილში, კუჭ-ნაწლავში და სხვ.

მკურნალობა: მწვავე პერიოდში — პრედნიზოლონი და სხვა კორტიკოსტეროიდული ჰორმონული პრეპარატები, სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალებანი; ქრონ. შემთხვევაში — ვიტამინები, სამკურნ. ვარჯიში, ფიზიოთერაპიული და კურორტული მკურნალობა.

ვ. ალადაშვილი.

სკლეროზი (ბერძნ. sklērōsis — გამაგრება), ადამიანისა და ცხოველების რაიმე ორგანოსა ან ქსოვილში შემაერთებელი ქსოვილის ზრდა. ორგანოს ს-ის დროს მისი პარენქიმა (ფუნქციური ელემენტები) იღუპება და მის ნაცვლად ვითარდება მწიფე, ზოგჯერ უხეში ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილი. ამ უკანასკნელის ახლად წარმოქმნა ჩვეულებრივ ხდება შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედების — ფიბრობლასტების გამრავლებისა და მათ მიერ კოლაგენის მოლეკულების ინტენსიურად წარმოქმნის შედეგად. პარენქიმის ფუნქციური ელემენტების დაღუპვის მიზეზი შეიძლება იყოს *ანთება*, ჩვეულებრივ ქრონ. (ტუბერკულოზის, რევმატიზმის, ათაშანგის დროს), სისხლის მიმოქცევის მოშლა (ვენური შეგუბების დროს), *ინვოლუციური* (მაგ., მშობიარობის შემდგომ პერიოდში საკვერცხის ყვითელი სხეულის ს.) და ასაკობრივი ცვლილებები, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ. ს. შეიძლება იყოს კეროვანი და დიფუზიური. გაზრდილი შემაერთებელი ქსოვილი შეიძლება შეიჭმუხნოს და გამოიწვიოს ორგანოს დეფორმაცია — *ციროზი* (იხ. აგრეთვე *ათეროსკლეროზი, პნევმოსკლეროზი, ღვიძლის ციროზი*).

სკლეროზა (ბერძნ. sklērōsa — გამაგრება), ადამიანის სასუნთქი გზების ქრონიკული ინფექციური დაავადება. იწვევს ფრიშ-ვოლკოვიჩის ჩხირი (გერმ. ბაქტერიოლოგის ა. ფრიშისა და რუსი მეცნ. ნ. ვოლკოვიჩის გვარების მიხედვით, რ-თაგან პირველმა აღმოაჩინა ეს ჩხირი 1882, ხოლო მეორემ გამოჰყო ბაქტერიების წმინდა კულტურა 1888). ცხვირის, ხორხისა და ტრაქეის ლორწოვან გარსში ამ ჩხირის ჩანერგვის შემდეგ ვითარდება მკვრივი ინფილტრატები. დაავადების დასაწყისში აღინიშნება სიმშრალე ცხვირში და ქერქების გაჩენა; ხორხის დაზიანებისას — ხმის ჩახლეჩა; ინფილტრატის ზრდის გამო თანდათანობით ძნელდება სუნთქვა. შეიძლება განვითარდეს ცხვირის ღრუს გაუვალობა, ხორხისა და ტრაქეის სანათურის მკვეთრი შევიწროება. სპეციფ. მკურნალობა არ არსებობს; კარგ შედეგს იძლევა ანტიბიოტიკები და რენტგენოთერაპია.

სკლერომეტრი (*სკლერო...* და *...მეტრი*), ნივთიერების სისალის გასაზომი ხელსაწყო ჩაწნევის ან კაწრის მეთოდით.

სკლერომეტრია (*სკლერო...* და *...მეტრია*), მოძღვრება სხვადასხვა მასალის სიმაგრის გაზომვის შესახებ. ს-ის მეშვეობით ადგენენ აგრეთვე კავშირს მასალის სიმაგრესა და მის სხვა მექან. მახასიათებლებს შორის.

სკლეროსები (Sklēroi), დიდი ფეოდალური საგვარეულო ბიზანტიაში; თვალსაჩინო როლი ითამაშეს ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში, ს-ის სამშობლო იყო მცირე სომხეთი, თუმცა გვარი ბერძნულია (Sklēros ნიშნავს „მკაცრს", „მტკიცეს"). პირველად იხსენიებიან IX ს-ში, ხოლო უკანასკნელი წარმომადგენელი დემეტრიოს ს. — 1362. ს. წლების მანძილზე წარუმატებლად იბრძოდნენ ცენტრ. ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. მათგან უსაჩინოესნი იყვნენ ბარდა *სკლიაროსი* (X ს.), კონსტანტინე ს. (XI ს.), რომანოზ ს. (XI ს.), მარიამ სკლერაინა (XI ს.) და სხვ.

ლიტ.: Seibt W., Die Skleroi, W., 1976.

გ. ლუდუშაური.

სკლეროსკოპი (*სკლერო...* და *...სკოპი*), ლითონებისა და სხვა მასალის სისალის გასაზომი ხელსაწყო; გაზომვის პრინციპი ემყარება გამოსაცდელ სხეულზე განსაზღვრული სიმაღლიდან დაცემული სალი (ალმასის) ბუნიკიანი სარტყამის (წვეტის) ასხლეტის სიმაღლის გაზომვას.

სკლეროფიტები, სკლეროფილები (*სკლერო...* და ბერძნ. phyton—მცენარე ან phyllon — ფოთოლი), გვალვაგაძმძლე (ქსეროფილური) ხეშეშფოთლიანი მცენარეები. ხეშეშფოთლიანობა გახ-პირობებულია მექან. ქსოვილების ძლიერი განვითარებით. ბალახოვანი მცენარეებიდან ს-ს განეკუთვნება ცეცხლეკალა (რთულყვავილოვანთა ოჯახისა) და ლურჯი ნარი (ქოლგოსანთა ოჯახისა).

სკლეროტინია (Sklerotinia), ჩანთიანი სოკოების გვარი ჰელოციასნაირთა რიგისა. შეიცავს რამდენიმე ათეულ პარაზიტულ სახეობას. ამ სოკოთა განვითარების ციკლისათვის დამახასიათებელია *სკლეროციუმების* წარმოშობა. მოსვენების პერიოდის გავლის შემდეგ სკლეროციუმებიდან ვითარდება ფეხიანი *აპოთეციუმები*. ს-ის ბევრი სახეობა აავადებს ხშირად გარკვეულ მცენარეებს, ზოგიერთი კი, მაგ., S. sclerotiorum იწვევს ჩრავალი სას.-სამ. კულტურის (ჭარხალი, სტაფილო, ოხრახუში, მზესუმზირა, ლობიო, სოია, კიტრი, კარტოფილი, კომბოსტო და სხვ.) დაავადებას, რ-იც ცნობილია თეთრი სიდამპლის სახელწოდებით.

ი. ნაბუცრიშვილი.

სკლეროციუმი (<ბერძნ. sklēros — მაგარი), სოკოს მოსვენების სტადია. *მიცელიუმის* სახეცვლილება; წარმოიქმნება ჰიფების მჭიდრო გადახლართვით. ს.

ჩვეულებრივ მომრგვალოა, აქვს შავი გარსი და თეთრი შიგთავსი. შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმსა (30%-მდე) და მცირე რაოდენობით ცილას (5—10%). ს-ები კარგად იტანენ არახელსაყრელ პირობებს (ყინვა, გვალვა). ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე ს-გან ვითარდება მიცელიუმი ან ნაყოფსხეული. ს. ახასიათებს ზოგიერთ ჩანთიან, ბაზიდიუმიან ან უსრულო სოკოს, ჭვავის რქის ს. შეიცავს ალკალოიდებს, რ-თაც იყენებენ მედიცინაში. *ი. ნაბუცრიშვილი.*

სკლეტერი (Sclater) ფილიპ ლატლი (4. XI. 1829 —27. VI. 1913), ინგლისელი ორნითოლოგი და ზოოგეოგრაფი. 1849 დაამთავრა ოქსფორდის უნ-ტის კოლეჯი. იმოგზაურა ევროპაში, ამერიკაში, ჩრდ. აფრიკაში. 1859-იდან ლონდონის ზოოლ. საზ-ბის მდივანი იყო. მისი ძირითადი ნაშრომები ეხება სამხრ. ამერ. ფრინველებს (აღწერა მრავალი ახ. გვარი და სახეობა). შეადგინა ბრიტ. მუზეუმის ორნითოლოგიური კოლექციის 4-ტომიანი კატალოგი, ამერ. ფრინველთა კატალოგი. ფრინველთა გავრცელების შესაბამისად, ს-მა ხმელეთი დაყო (1858) 6 ზოოგეოგრ. ოლქად (პალეარქტიკის, ეთიოპიის, აღმოსავლეთის, ავსტრალ., ნეარქტიკის, ნეოტროპიკის); ეს დაყოფა, რ-იც შემდეგ დააზუსტა ა. *უოლესმა* (1876), საფუძვლად დაედო ხმელეთის თანამედროვე ზოოგეოგრ. დაყოფას.

სკლიაროსი, სკლეროსი (Sklēros) ბარდა (გ. 991, თრაკია), X ს. ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, პატრიკიოსი, აღმ. სხოლათა დომესტიკოსი, უზურპატორი. დაწინაურდა იმპ. იოანე ციმისხის დროს (969 — 976). პირველად მასვე აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა და შეიწყნარეს. 976 ხელახლა აჯანყდა უკვე მცირეწლოვანი ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის დროს. მალე თითქმის მთელი მცირე აზია ს-ის განმგებლობაში აღმოჩნდა და საფრთხე შეექმნა დედაქალაქსაც. იმპერიის მმართველმა სასწრაფოდ გამოიძახა ექსორიაში მყოფი სარდალი ფოკა ბარდა და აჯანყების ჩაქრობა დაავალა. მაგრამ ფოკა ბარდაც დამარცხდა. მაშინ ბიზანტ. მთავრობამ საქართვ. განმგებელს დავით კურაპალატს მიმართა ათონის იერთა მონასტერში მყოფი თორნიკე ერისთავის საშუალებით. თორნიკე ერისთავმა 12 ათ. რჩეული ქართველი მეომრით ფოკა ბარდასთან ერთად დაამარცხა ს. (979 მარტი). ძლეულმა ს-მა აღმოსავლეთის ერთ-ერთ მთავარს შეაფარა თავი და იქ დიდხანს იყო მტკვნობაში. 987 ს. შეუერთდა აჯანყებულ ფოკა ბარდას, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი მოატყუა და დაატყვევა. 989 ფოკა ბარდას სიკვდილის შემდეგ, აჯანყებულმა ს-მა იმპერატორს მორჩილება და პატიების თხოვნა შეუთვალა, რაც მიღებულ იქნა კიდეც. უკვე ხანდაზმული ს-ის შემდგომი ბედი აღარა ჩანს.

ლიტ.: ბადრიძე შ., ბარდა სკლეროსის აჯანყების ისტორიისათვის, «საისტორიო კრებული», 1973, [ტ.] 4; Ломоури Н., К истории восстания Варды Склира, «Ученые записки», 1957, т. 67; Seibt W., Die Skleroi, W., 1976. *გ. ლუდუშაური.*

სკლიფოსოვსკი ნიკოლოზ ვასილის ძე [25. III (6. IV). 1833, ქ. დუბოსარის მახლობლად, ახლანდ. მოლდ. სსრ, — 30. XI (13. XII). 1904, სოფ. იაკოვცი, პოლტავის გუბ.], რუსი ქირურგი. 1859 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1870-იდან კიევის უნ-ტის, ხოლო 1871-იდან პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკად. პროფესორი. 1880-იდან მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის დეკანი და პროფესორი, 1893—1900 ექიმთა დახელოვნების ინ-ტის დირექტორი პეტერბურგში. კუჭის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, შარდის ბუშტის, გინეკოლ. დაავადებათა ქირურგ. მკურნალობის ერთ-ერთი პიონერი. დაამუშავა ცრუ სახსრების დროს ძვლების შეერთების ორიგინ. ოპერაცია (ს-ს „კიტე"); განავითარა ნ. პიროგოვის შეხედულებანი და დიდი წვლილი შეიტანა სამხ.-საველე ქირურგ. განვითარებაში; ჟურნ. „Летопись хирургического общества"-ს თანარედაქტორი მოსკოვში (1891-იდან); ექიმთა „პიროგოვის ყრილობების" ინიციატორი, მოსკოვში ექიმთა XII საერთაშ. კონგრესის (1837) პრეზიდენტი და სხვ. 1923 ს-ს სახელი მიენიჭა მოსკ. სასწრაფო დახმარების სამეცნ.-კვლ. ინ-ტს.

თხზ.: Избр. труды, М., 1953.

ლიტ.: Кованов В. В., Н. В. Склифосовский, М., 1972.

სკლოდოვსკა-კიური (Sklodowska-Curie) მარი (7. XI. 1867, ვარშავა, — 4. VII. 1934, სანსელმო, დეპარტ. ზემო საოია; დაკრძალულია სოში, პარიზის მახლობლად), ფიზიკოსი და ქიმიკოსი; ეროვნებით პოლონელი. 1883 დაამთავრა ვარშავის გიმნაზია, 1895 კი — პარიზის უნ-ტი. ცოლად გაჰყვა პ. *კიურის* და მუშაობა დაიწყო მის ლაბორატორიაში, ინდუსტრ. ფიზ. და ქიმ. სკოლაში. 1903 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რადიოაქტიურ ნივთიერებათა გამოკვლევა". პ. კიურის სიკვდილის შემდეგ (1906) დაიკავა მისი კათედრა პარიზის უნ-ტში. იყო ამ უნ-ტის პირველი პროფესორი ქალი. 1914-იდან ხელმძღვანელობდა პარიზის რადიუმის ინ-ტის ფიზიკა-ქიმ. განყ-ბას. აქ მასთან მუშაობდნენ თავისი ქალიშვილი ი. *ჟოლიო-კიური* და ფ. *ჟოლიო-კიური.*

ს.-კ-ს შრომები რადიოაქტ. ნივთიერებათა შესწავლის შესახებ საფუძვლად დაედო ფიზ. და ქიმ. ახ. დარგებს. 1898 ივლ-ში ცოლ-ქმარმა კიურებმა აღმოაჩინეს ახ. ქიმ. ელემენტი *პოლონიუმი* (Po), ხოლო ამავე წლის დეკ-ში — *რადიუმი* (Ra). 1902 ს.-კ-მ მიიღო Ra-ის სუფთა მარილის დეციგრამი, რამაც მას საშუალება მისცა განესაზღვრა Ra-ის ატ. მასა, დაედგინა მისი ზოგიერთი ფიზ. და ქიმ. თვისება, აგრეთვე მისი ადგილი ელემენტთა პერიოდულ სისტემაში. 1910 ს.-კ-მ ფრანგ ფიზიკოს ა. დებიერნთან ერთად მიიღო ლითონური რადიუმი და განმეორებით დიდი სიზუსტით განსაზღვრა მისი ატ. მასა. 1911 მან პირველმა მოამზადა რადიუმის ეტალონი, რ-იც 24 წ განმავლობაში მსოფლიოში ერთადერთი იყო. შრომები აქვს აგრეთვე რადიოლოგიისა და რენტგენოლოგიის საკითხებზე. 1914 რენტგენოლოგიურად გამოიკვლია დაჭრილები ჰოსპიტლებში. იყო პარიზის სამედ. აკად. პირველი წევრი ქალთა შორის (აირჩიეს 1922).

ს.-კ-ს ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია: 1903 (ფიზიკაში; პ. კიურისა და ა. ბეკერელთან ერთად) და 1911 (ქიმიაში). იყო მსოფლიოს მრავალი აკად. და სამეცნ. საზ-ბის წევრი, მ. შ. პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1907) და სსრკ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1926). 1923-იდან საპატიო დირექტორი იყო ვარშავის რადიუმის ინ-ტისა, რ-იც მისი ინიციატივით შეიქმნა.

თხზ.: L'isotopie et les éléments isotopes, P., 1924.

ლიტ.: Кюри Е., Мария Кюри, пер. с франц., 4 изд., М., 1976.

სკობელევი მათე ივანეს ძე (1885, ბაქო, — 29. VII. 1938), სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე რუსეთში. რსდმპ წევრი 1903-იდან, მენშევიკი; მუშაობდა ბაქოში. 1906—12 ემიგრაციაში იყო. 1912-იდან IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ამიერკავკასიიდან, ს.-დ. ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს სოციალ-შოვინისტი. 1917 თებ. რევ. შემდეგ პეტროგრ. საბჭოს აღმასკომის წევრი და თავრის მოადგილე, 1917 მაის-აგვ. ბურჟ. დროებით მთავრობაში შრომის მინისტრი, სრულიად რუს. ცაკის I მოწვევის თავრის მოადგილე 1917 ოქტ. რევ. შემდეგ ჩამოსცილდა მენშევიკებს. 1918 ამიერკავკასიაში ჩავიდა, 1920 მენშევიკური საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, ხელს უწყობდა საბჭ. რუსეთსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. იყო „ცენტროსოიუზის" წარმომადგენელი პარიზსა და ბრიუსელში. 1922 შეუიდა რკპ (ბ) რიგებში. 1924-იდან მუშაობდა სსრკ საგარეო ვაჭრობის სისტემაში.

სკობელცინი დიმიტრი ვლადიმერის ძე [დ. 12 (24). XI. 1892, პეტერბურგი], საბჭ. ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). სოციალ. შრომის გმირი (1969). პეტროგრ. უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1915) მუშაობდა პოლიტექ. (1916—37) და ფიზიკა-ტექ. (1925—39) ინ-ტებში ლენინგრადში. შემდეგ კი მუშაობა დაიწყო სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (1937-იდან, 1951—72—დირექტორი). 1929—31 მიელინებული იყო საფრანგეთში, სადაც მუშაობდა მ. *სკლოდოვსკა-კიურის* ლაბორატორიაში. 1940-იდან მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი, შემდეგ ამ უნ-ტის ბირთვული ფიზ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1960-მდე). უმთავრესი შრომები აქვს ბირთვულ ფიზიკასა და კოსმ. სხივების ფიზიკაში. თავის მოწაფეებთან ერთად აღმოაჩინა ელექტრონულ-ბირთვული ღვარები და ბირთვულ-კასკადური პროცესი (სსრკ სახელმწ. პრ.ემია, 1951). შექმნა ატომბირთვის ფიზ. და კოსმ. სხივების ფიზ. სპეციალისტთა სკოლა. IV—VIII მოწვევის სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1950—74 „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების" საერთაშ. ლენინური პრემიების კომიტეტის თავ-რე. ლენინური პრემია (1982). დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.



მ. სკლოდოვსკა-კიური.

თხზ.: Парадокс близнецов в теории относительности, М., 1966.

სკოვოროდა გრიგოლ სავას ძე [22. XI (3. XII). 1722, სოფ. ჩერნუხი, პოლტავის გუბ., — 29. X (9. XI). 1794, სოფ. ივანოვკა, ახლანდ. სოფ. სკოვოროდინოვკა, ხარკოვის ოლქი], უკრაინელი ფილოსოფოსი, პოეტი, პედაგოგი, განმანათლებელი. ს-ს მოძღვრების ამოსავალია „სამი სამყაროს" [მაკროკოსმოსი (ბუნება), მაკროკოსმოსი (ადამიანი) და „სიმბოლური" რეალობა, რ-იც იდეალურად აერთიანებს დიდსა და მცირე სამყაროს (ბიბლია)] არსებობის იდეა. ყოველ მათგანს აქვს 2 ბუნება: ხილული (შექმნილი სამყარო) და უხილავი (ღმერთი). ადამიანის არსებობის ძირითადი პრობლემა, რ-იც თვითშემეცნებით გადაიჭრება, არის უხილავის, ანუ ღმერთის, წვდომა. ღმერთი, ს-ს პანთეისტური აზრით, უპირისპირდება მატერიას, რ-იც მარადიული და უსასრულოა დროსა და სივრცეში. ს-ს საჭიროდ მიაჩნდა ხალხის მასების განათლება, ახალგაზრდობის პარმონიული აღზრდა, ქალებისა და მამაკაცების თანაბარი განათლება.



დ. სკობელცინი.

ს-ს ეკუთვნის ლექსთა კრებ. „ღვთაებრივ სიმღერათა ბაღი", რ-იც ძვ. უკრ. სასიმღერო ლირიკის ტრადიციებზეა შექმნილი. სტილის დემოკრატიზმმა და ექსპრესიულობამ დიდი პოპულარობა მოუპოვა მის ლექსებს.

თხზ.: Соч., т. 1—2, М., 1973.

ლიტ.: ბაბანიძე ო., გ. სკოვოროდა, თბ., 1972; Табачников И. А., Григорий Сковорода, М., 1972.

სკოლა (ლათ. schola — სასწავლო დაწესებულება<ბერძნ. scholē, სიტყვასიტყვით — მოცალეობა, შრომისაგან დასვენება; ძვ. საბერძნეთში ფილოსოფოსთა გასაუბრებები თავიანთ მოწაფეებთან), სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რ-იც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა, აგრეთვე მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ორგანიზებულად და მიზანმიმართულად აღზრდა-განვითარებასა და სწავლა-განათლებას.



გ. სკოვოროდა.

იმის მიხედვით, თუ ვინ არის ორგანიზატორი და ვისი სახსრებით არსებობს, ს-ები არის სახელმწ., საზ., მუნიციპალური და კერძო; რელიგიასთან ურთიერთობის მიხედვით — საერო და კონფესიონალური, განათლების დონის მიხედვით— დაწყებითი, საშ. და უმაღლესი; მოსწავლეთა სქესის მიხედვით — ვაჟთა, ქალთა და შერეული ტიპის და სხვ.

ს. ისტ. მოვლენაა. იგი წარმოიშვა საზ. ცხოვრების განვითარების გარკვეულ ისტ. საფეხურზე, როდესაც წარმოების განვითარებისა და კერძო საკუთრების გაჩენის შედეგად აუცილებელი გახდა ადამიანთა სპეც. ცოდნით შეიარაღება (ქურუმები, სამხ. წინამძღოლები, გადამწერები, მკურნალები, მშენებლები და მისთ.). ს-ის მიზნები, ამოცანები და მუშაობის შინაარსი განსაზღვრულია საზ-ბის განვითარების დონით, მისი კლასობრივი სტრუქტურით. ძვ. წყაროების მიხედვით, ს-ის წარმოშობას ძვ. წ. რამდენიმე ათასი წლის წინათ ვარაუდობენ; მის პირველ სამშობლოდ მიაჩნიათ ძვ. ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი. ძვ. საბერძნეთში სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა ძვ. წ. VII—VI სს-ში და ემსახურებოდა მონათმფლობელთა ინტერესებს. ძვ. საბერძნ. ს-მ დიდი გავლენა მოახდინა ძვ. რომისა და შემდგომში დას. ევრ. ბევრი ქვეყნის ს-ზე. შუა საუკუნეებში ეკლესიამ ხელთ იგდო მონოპოლია განათლების საქმეში და ს. მოსწყვიტა ცხოვრებას. პარალელურად ვითარდებოდა საერო წოდებრივი ს-ც. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად წოდებრივი ს. გადაკეთდა ბურჟ. კლასობრივ ს-დ; ასეთ ს-ში განათლება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებულთათვის, ხოლო XIX ს-იდან გამოცხადებული ს-ის დემოკრ. პრინციპები ბოლომდე არასოდეს არ სრულდებოდა. კლასიკური (ჰუმანიტარული) ს-ის გვერდით სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა რეალური და პროფ. სკოლები.

აზიის, აფრ. და ლათ. ამერიკის კოლონ. ქვეყნებში ს-ის ორგანიზაცია მეტროპოლიის გაბატონებული კლასების ინტერესებს ექვემდებარებოდა. კოლონიზაციის უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში გაშლილია მუშაობა ეროვნ. ს-ის ორგანიზაციისა და განმტკიცებისათვის.

დღევანდელი სსრკ ტერიტორიაზე პირველი ს-ები გაჩნდა ახ. წ. III—V სს-ში საქართველოსა და სომხეთში. რევოლუციამდელ რუსეთში ს. ატარებდა წოდებრივ-კლასობრივ ხასიათს: ხალხის ფართო მასებისათვის არსებობდა დაწყ. ს-ის სხვადასხვა ტიპი, ხოლო გაბატონებული კლასების შვილებისათვის იყო დაბური სათავადაზნაურო' სასწავლებლები, პაჟთა, კადეტთა კორპუსები და მისთ. ეკლესიას საკუთარი სასკოლო სისტემა ჰქონდა, ამასთანავე ყველა საერო ს-ში სავალდებულო სასწ. საგანი იყო საღვთო სჯული. რევოლუციამდელი ს. რუსეთში არ იყო ერთიანი, ს-ში მოხვედრა იზღუდებოდა ეროვნ. და სოც. ნიშნებით.

ოქტ. რევ. შემდეგ ს. გახდა საერთოსახ., ყველასათვის ერთნაირად მისაწვდომი სოც. მდგომარეობის, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად. ს. გამოეყო ეკლესიას, გახდა სახელმწ. საერო და უფასო. საბჭ. ს-ის მიზნად იქცა ყოველმხრივ განვითარებული, კომუნისტური მსოფლმხედველობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება.

საბჭ. ს-ის სტრუქტურა, განათლების შინაარსი და ორგანიზაცია იცვლება სოციალ. საზ-ბის, მეცნ. და ტექ. პროგრესის შესაბამისად, ხოლო მისი პრინციპული საფუძვლები უცვლელია. ზოგადსაგანმან. ს. შრომითი,პოლიტექნიკურია; პროფსასწავლებლები და საშ. სპეც. სასწავლებლები პროფმომზადებასთან ერთად ზოგადსაგანმან. მომზადებასაც იძლევა. ყველა ტიპის ს-ში სწავლება უფასოა. მოსწავლეთა ნაწილი სახელმწ. კმაყოფაზეა (სკოლა-ინტერნატებში, პროფსასწავლებლებში). სამ. სპეც. და უმაღლეს სასწავლებლებში (სამ. სპეც. და უმაღლეს ს-ში) მოსწავლეები და სტუდენტები იღებენ სახელმწ. სტიპენდიებს. ს. ერთიანია, ე. ი. მისი სხვადასხვა ტიპი საფეხურებრივად დაკავშირებულია და სწავლების დაუბრკოლებრივ გაგრძელების საშუალებას იძლევა დაწყებითიდან უმაღლესის ჩათვლით. ს-ში სწავლება მშობლიურ ენაზეა. განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო ოთხწლიანი (1934), რვაწლიანი (1962) სწავლება, ხოლო 70-იანი წლების ბოლოს დამთავრდა გადასვლა სავალდებულო სამ. განათლებაზე. ს-ის მუშაობა აგებულია სახ. განათლების განონმდებლობის საფუძველზე. ამჟამად ხორციელდება ს-ში სწავლებისა და აღზრდის ხარისხის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები შესაბამისად „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების“, რ-ებიც მოწონებულია სკკპ ცკ-ის 1984 აპრ. პლენუმისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის I სესიის მიერ.

სოციალ. ქვეყნებში გამოყენებულია საბჭ. ს-ის გამოცდილება; ს-ს საფუძვლად უდევს ორგანიზაციის სოციალ. პრინციპები, ამასთანავე, ყველა ქვეყანაში გათვალისწინებულია კონკრ. ისტ. პირობები და ეროვნ. თავისებურებანი: განსხვავებულია ს-ის ტიპები, სახელწოდებები, სტრუქტურა, სწავლების ვადები, საყოველთაო სავალდებულო განათლების დონეები.

თანამედროვე *კაპიტალ. ქვეყნებში* ს. გამოკვეთილ კლასობრივ ხასიათს ატარებს. მას არ ყოფნის სახელმწ. ასიგნებანი. მოწინავე კაპიტალ. ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გფრ, იაპონია და სხვ.) ს. სულ უფრო და უფრო მასობრივი ხდება, ამასთანავე სულ უფრო დახვეწილად ინილბება კლასობრივი უთანასწორობა ს-ში: სხვადასხვა ტიპის ს-ში განათლების შინაარსი და სწავლების ხარისხი განსხვავებულია; არსებობს პრივილეგიური ს-ები, სწავლების პრესტიჟული პროფილები. სწავლების მაღალი ქირა, გამოცდები სპეც. ტესტებით და სხვ.

ს-ს უწოდებენ აგრეთვე სემინარ-კონფერენციის ტიპის მეცადინეობას, რ-იც ეძღვნება რომელიმე სამეცნ. პრობლემის შესწავლას. მაგ., ჩატარდა ს. ფიზიკაში ან მათემატიკაში და მისთ.

ტ. სარიშვილი.

სკოლა *მეცნიერებაში*, მიმართულება მეცნიერებაში, რ-იც შექმნილია შეხედულებების, პრინციპებისა და სამეცნ. მეთოდოლოგიის ერთიანობის საფუძველზე. ს-ის სახელწოდება დაკავშირებულია ან მისი მეთავე დიდი მეცნიერის სახელთან, ან ქვეყანასთან, სადაც ეს მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. მაგ., უზნაძის ფსიქოლოგიური ს., ლანდაუს ს. ფიზიკაში, ქართული მათემატიკური ს. და მისთ.

სკოლა *ხელოვნებაში*, მხატვრული მიმდინარეობა, წარმოდგენილი რომელიმე თვალსაჩინო ხელოვანის მოწაფეებითა და მიმდევრებით (მაგ., *ვენეციანოვის სკოლა* რუსეთში), ან ჯგუფი მხატვრებისა, რ-ებსაც აქვთ ერთიანი შემოქმედებითი პრინციპები და მხატვრული მანერა (მაგ., *სტროგანოვის სკოლა*). სახელწოდება ხშირად იმ ქვეყნისა თუ ქალაქის (ოლქის) სახელიდან მომდინარეობს, სადაც ეს ს. ჩამოყალიბდა (მაგ., დავითგარეჯის სამხატვრო ს., ბოლონიის ფერწერული სკოლა და სხვ.).

„სკოლა და ცხოვრება“, საქ. სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი, გამოდის თბილისში 1924-იდან სახელწოდებებით: „ახალ სკოლისაკენ“, 1930-იდან—„კულტურული აღმშენებლობა“, 1932-იდან — „კომუნისტური აღზრდისათვის“; დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) ჟურნალის გამოცემა შეწყდა, განახლდა 1953 ივნისიდან, ხოლო 1960 ეწოდა „ს. და ც.“ ჟურნალი აშუქებს კომუნისტური აღზრდის, სწავლებისა და განათლების თეორ. და პრაქტ. საკითხებს. ჟურნალის პირველი რედაქტორი იყო მ. ორახელაშვილი (1924—30). 1930-იდან—საქ. სსრ განათლების სახ. კომისრები, 1953-იდან სხვადასხვა დროს —გ. ნიორაძე, ვ. მგალობლიშვილი, პ. შამათავა, გ. საჯაია, ა. გოგელია, 1984-იდან — ა. ძერია. ჟურნალს აქვს 8 ყოველკვარტალური დამატება (სამეცნ.-მეთოდ. ჟურნალები): „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (რედ. თ. კვაჭანტირაძე), „რუსული ენა და ლიტერატურა ქართულ სკოლაში“ (რედ. ა. ლორთქიფანიძე), „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ (რედ. ო. ხაზარაძე), „ქიმია, ბიოლოგია სკოლაში“ (რედ. მ. ღარიბაშვილი), „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“ (რედ. ს. გამსახურდია), „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“ (რედ. შ. ამონაშვილი), „უცხოური ენები სკოლაში“ (რედ. შ. შათირიშვილი), „მართვა“ (მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა (რედ. ნ. გუგუშვილი).

დ. გურგენიძე.

სკოლათმცოდნეობა, პედაგოგიკის დარგი; იკვლევს სკოლის მართვის შინაარსსა და მეთოდებს, სკოლის ხელმძღვანელობისა და მისი მუშაობის ორგანიზაციის თავისებურებებს.

საბჭ. ს-ის მთავარ წყაროებს შეადგენს საბჭ. კანონმდებლობა, სსრკ და საზღვარგარეთული სკოლების მართვის მოწინავე გამოცდილება, პედ. მეცნ. დასკვნები და რეკომენდაციები, სკკპ ცკ-ისა და საბჭ. მთავრობის დადგენილებანი სახ. განათლების სისტემის პრინციპების, ორგანიზაციის, სკოლის მართვის, კონტროლისა და ხელმძღვანელობის შესახებ.

ს-ის შინაარსში შედის: სკოლის ხელმძღვანელობისა და მართვის ძირითადი პრინციპები; სახ. განათლების ორგანოების მოღვაწეობა ადმ. პედ. და სამეურნეო დარგებში; მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების ორგანიზაცია; სკოლის ინსპექტირება და ინსტრუქტაჟი; მოწინავე პედ. გამოცდილების შესწავლა-განზოგადება; საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის გატარება; საყოველთაო განათლების ქსელის განლაგების სწორი ორგანიზაცია და სკოლის ტიპების განსაზღვრა, სასკოლო შენობის, სასწ.-საცდელი ნაკვეთის, სასწ. სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შეკაზმვა; დაფინანსების, შიდასასკოლო კონტროლის, მშრომელთა პედ. განათლების (სახ. უნ-ტების) ორგანიზაციისა და პედ. ქვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია; მშრომელთა ფართო საზ-ბის ჩაბმა სკოლის კეთილმოწყობისა და მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მოწესრიგების საქმეში; მოსწავლეთა თვითმმართველობა; განათლების დაწესებულებათა მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშგება; სასკოლო საქმის სტატისტიკა და მთელი რიგი სხვა საკითხებისა. საბჭ. ს. სწავლობს და იყენებს მსოფლიო და სამამულო პროგრ. პედაგოგიკის მიღწევებს. ს-ის თანამედროვე ამოცანებისა და მიზნების განხორციელებაში სახ. განათლების ორგანოებს და სკოლის ხელმძღვ. მუშაკებს ეფექტურ დახმარებას უწევენ სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სკოლის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ვ. ი. ლენინის, ნ. კრუპსკაიას, ა. ლუნაჩარსკასა და თანამედროვე ავტორთა გამოკვლევები და სახელმძღვანელოები.

ლიტ.: სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981; *კიზირია ბ., სიხარულიძე შ.,* სკოლათმცოდნეობა, თბ., 1971; *სარიშვილი ტ.,* სკოლათმცოდნეობის საკითხები, თბ., 1984; *მისივე,* სკოლის დირექტორის მუშაობა, თბ., 1987; **Ордамский Н. Н.,** Школоведение, М., 1927; **Школоведение.** [Сб. статей]. Под ред.

А. Н. Волковского и М. П. Малышева, М., 1955. *ტ. სარიშვილი.*

სკოლა-ინტერნატი, სსრკ-ში 1956-იდან ზოგადსაგანმანათლებლო, ძირითადად 8-წლიანი სკოლა, სადაც ბავშვები ცხოვრობენ და სწავლობენ (კვირა-სადღესასწაულო დღეებსა და არდადეგებს ატარებენ ოჯახში ან ნათესავებთან). ს.-ი-ის აღსაზრდელები არიან, უპირველეს ყოვლისა, ხელმოკლე ოჯახების შვილები. შორეულ ჩრდ-ში კი ს.-ი-ში სწავლობს ყველა ბავშვი, ვისთვისაც ძნელია სკოლაში რეგულარულად სიარული. ფიზ. და ფსიქ. ნაკლის მქონე ბავშვებისათვის გახსნილია სპეც. ს.-ი-ები.

ს.-ი-ში მასწავლებელთა შტატის გარდა არის აღმზრდელთა შტატიც. მოსწავლეთა ცხოვრების რეჟიმი აგებულია პედ. და სამედ. საფუძველზე. ს.-ი-ებს აქვთ სასწ. და სკოლისგარეშე მუშაობის მძლავრი მატერ. ბაზა.

სკოლამდელი ასაკი, ბავშვობის პერიოდი 4-იდან 7 წლამდე. ს. ა-ის ბავშვის პიროვნების თავისებურებანი ვლინდება ასაკობრივი გარემოს შეცვლით გამოწვეული ქცევის ან. ფორმებში. ქცევის ძირითად ფორმას თამაში წარმოადგენს. ამასთან ერთად ბავშვს უკვე შეუძლია დამოუკიდებელი თვითმომსახურება (ჩაცმა, პირის დაბანა და ა. შ.), მარტივი საყოფაცხოვრებო საქმიანობა, თავისი ტოლების კოლექტივის წევრობა, სახვითი მოქმედება. რ-ის პროცესში იძულებული ხდება გაუწიოს ანგარიში მასალის ობიექტურ თვისებებს, რაც ხელს უწყობს ობიექტური აუცილებლობის ცნობიერების ჩამოყალიბებას. ქცევის ყველა ეს ფორმა მიზანდასახულ ნებისმიერ მოქმედებას და, მაშასადამე, ნებისყოფის გარკვეულ დონეს მოითხოვს და ავითარებს თავისი „მეს" გაცნობიერების გარკვეულ დონეს. ამასთან დაკავშირებით ს. ა-ში ხშირად თავს იჩენს ეგოცენტრიზმი, თვითნებობა, ჟინიანობა, რ-თა დაძლევის საუკეთესო საშუალებაა საბავშვო ბაღის პედაგოგიურად ორგანიზებული გარემო. ს. ა-ში ყალიბდება ეთიკური ნორმები, ბავშვს შეუძლია თავისი და სხვისი ქცევის როგორც „კარგის", ისე „ცუდის" შეფასება. ს. ა-ში ინტენსიურად ვითარდება ყველა ფსიქ. ფუნქცია (განსაკუთრებით აზროვნება), მაგრამ სასკოლო ასაკამდე ძირითადად დამახასიათებელია მათი უნებლიე გამოვლინება.

ს. ა-ის ბავშვებში ქცევის ყველა ზემოაღნიშნული აქტ. ფორმის დაუფლებას ხელს უწყობს მათი ფიზ. განვითარებაც.

ლიტ.: ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1964; ნათაძე რ., დაბადებიდან თხუთმეტ წლამდე, თბ., 1962; უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 5, თბ., 1967; Эльконин Д. Б., Детская психология, М., 1960.

რ. ნათაძე.

სკოლამდელი დაწესებულებანი, ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის დაწესებულებები. სსრკ-ში ამ სისტემაშია საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაგა-ბაღები და საბავშვო ბაღები. ვ. ი. ლენინი სტატიაში „დიადი თაოსნობა" წერდა: „აი... საშუალებები..., რომელთაც საქმით შეუძლიათ გაათავისუფლონ ქალი, საქმით შეუძლიათ შეამცირონ და მოსპონ ქალის უთანასწორობა მამაკაცთან მისი როლის კვალობაზე საზოგადოებრივ წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 502).

სსრკ-ში ს. დ-ში ბავშვთა აღზრდა მიმდინარეობს ერთიანი პროგრამით, რ-იც აგებულია სკოლამდელი პედაგოგიკის მეცნ. საფუძველზე. ფიზ. და ფსიქ. ნაკლის მქონე ბავშვთათვის (2-იდან 7 წლამდე ასაკის) არის სპეც. ს. დ., რ-ებიც ჯანდაცვის სამინისტროს განმგებლობაშია.

სკოლამდელი პედაგოგიკა, პედაგოგიკური მეცნიერება, რ-იც სწავლობს სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის კანონზომიერებებს. მჭიდროდ უკავშირდება ბავშვის ფსიქოლოგიას, ასაკობრივ ანატომიასა და ფიზიოლოგიას, პედიატრიას, ჰიგიენას, ავრეთვე ენათმეცნიერებას, ესთეტიკას, ეთიკას და სხვ.

ს. პ. ზოგად პედაგოგიკას გამოეყო XIX ს. II ნახევარში, როდესაც გავრცელდა სკოლამდელი დაწესებულებები. დაკავშირებულია *რ. ოუენისა* და *ფ. ფრებელის* სახელებთან. რუსეთში პის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა კ. უშინსკიმ, საქართველოში — ი. გოგებაშვილმა.

საბჭ. ს. პ-ის ძირითადი ამოცანაა სკოლამდელი ასაკის ბავშვების *კომუნისტური აღზრდის* შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების დამუშავება. მარქსისტული ს. პ-ის თეორ. საფუძვლების ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. *კრუპსკაიას.* ზოგიერთი საკითხი დაამუშავა ა. *მაკარენკომ.* სსრკ-ში დამუშავებულია საბავშვო ბაღის დიდაქტიკის სისტემა (ა. უსოვა), სკოლამდელი ესთეტ. აღზრდის საკითხები (ნ. ვეტლუგინა). დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლამდელთა ზნეობრივი, გონებრივი, შრომითი და ფიზ. აღზრდის საკითხებს, *თამაშს* და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. ს. პ-ის პრობლემები მუშავდება სსრკ პედ. მეცნ. აკად. სკოლამდელი აღზრდის ინ-ტში, საქართველოში — ი. გოგებაშვილის სახ. პედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავდა „საბავშვო ბაღში აღზრდის პროგრამა" (1962, 1969). სათანადო მასალები ქვეყნდება ჟურნალებში „სოვეტსკაია პედაგოგიკა" და „დოშკოლნოე ვოსპიტანიე", 1959-იდან 2 წელიწადში ერთხელ ტარდება სოციალ. თანამეგობრობის ქვეყნების ს. პ-ის პრაქტიკოს სპეციალისტთა სემინარები. *დ. გურგენიძე.*

სკოლიასებრნი (Scoliidae), მწერების ოჯახი *სიფრიფანაფრთიანების* რიგისა. ოჯახში 420 სახეობაა, რ-თაგანაც სსრკ-ში გვხვდება 42 (მ. შ. სკოლია-გიგანტი, რ-ის სიგრძე 4,5 *სმ* აღწევს). ს. დიდი ან საშ. ზომის კრაზანებია, ჩვეულებრივ შავი ფერისა, ყვითელნახატიანი. იკვებებიან ყვავილების ნექტრით. დედალი ს. ნიადაგში ღრაჯების მატლებს ნესტრის ჩხვლეტით ადამბლავებენ და ზედ დებენ კვერცხებს (თითოზე თითოს). გამოჩეკილი მატლი ჭამს მსხვერპლს და აქვე იჭუპრებს.

სკოლიოზი (ბერძნ. skoliösis — გამრუდება), ადამიანის ხერხემლის გვერდითი გამრუდება. ვითარდება ხერხემლის ინტენსიური ზრდის (5—15 წლის ასაკში) პერიოდში. გოგონებში 3—6-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ბიჭებში, ს., როგორც წესი, იწყება ხერხემლის გულმკერდის ნაწილში; შემდეგ შეიძლება ჩაითრიოს წელის ნაწილიც — ვითარდება ე. წ. S-ის მაგვარი ს. მკაფიოდ გამოხატული ს-ის დროს მენჯიც გადახრილია, შეცვლილია სიარული, დარღვეულია ფილტვებისა და გულის ფუნქცია. ს-ისა და *კიფოზის* შერწყმას კიფოსკოლიოზი ეწოდება. განარჩევენ თანდაყოლილ ს-ს, რ-იც განპირობებულია ემბრიონული განვითარების მანკით, და შეძენილ ს, რ-იც შეიძლება იყოს რაქიტული (იხ. *რაქიტი*), ტრავმული (ჩვეულებრივ ხერხემლის მოტეხილობისას), პარალიზური (მაგ., *პოლიომიელიტის* დროს), რეფლექსურ-მტკივნეული (მაგ. საჯდომი ნერვის ანთებისას) და სხვ. წარმოშობისა. ე. წ. სასკოლო ს. ხშირად უვითარდებათ ბავშვებს მერხთან არასწორად ჯდომის შედეგად.

პროფილაქტიკა: ს-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია; მერხთან სწორად ჯდომა; ცურვა, სამკურნ. ფიზკულტურა; მკაფიოდ გამოხატულ სტადიებში სპეც. მაკორეგირებელი კორსეტების ტარება.


სკოლისგარეშე განათლება, მოზრდილთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის ფორმათა ერთობლიობა. ტერმინი გაჩნდა XIX ს. II ნახევარში, როდესაც საგანმან. მიზნებით იქმნებოდა სახ. ბ-კები, სახ. სახლები, სახ. უნ-ტები და სხვ.

ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ ს. პ. ჩაერთო სახ. განათლების სისტემაში და 1920-იდან ჯერ პოლიტ.-საგანმან., ხოლო მოგვიანებით *კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა* ეწოდა.

სკოლისგარეშე დაწესებულებები, სსრკ-ში სახელმწიფო და საზოგადოებრივი აღმზრდელობითი დაწესებულებები რ-ებიც სკოლასთან, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში ეწევიან სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობას მოსწავლე ბავშვებსა და მოზარდებს შორის, მათთან ერთად ახორციელებენ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. ს. დ. 2 ტიპისაა: ზოგადი, რ-ებიც ახორციელებენ ბავშვებთან მუშაობას კულტ., მეცნ. სხვადასხვა დარგში, სპორტსა და ტურიზმში (პიონერთა და მოსწავლეთა სახლები და სასახლეები, საბავშვო პარკები და სხვადასხვა უწყების კლუბებთან და კულტ. სახლებთან არსებული საბავშვო სექტორები, საზაფხულო პიონერული ბანაკები და სხვ.) და სპეციალიზებული, რ-ებიც მუშაობას ეწევა ერთ რომელიმე დარგში (ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა, საბავშვო-საექსკურსიო-ტურისტული სადგურები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები, საბავშვო რკინიგზები, თეატრები, ბ-კები და სხვ.).

სსრკ-ში ს. დ. გაჩნდა 1918, ხოლო 1985-თვის იყო 4 ათ-მდე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე (საქართველოში— 17), 175 საბავშვო პარკი (საქართველოში — 3), 600-მდე ნორჩ ტექნიკოსთა სადგური (საქართველოში — 7), 350-მდე ნორჩ ნატურალისტთა სადგური (საქართველოში — 6), 200-მდე საექსკურსიო-ტურისტული სადგური (საქართველოში — 1), 4 ათ-ზე მეტი სამუსიკო და მხატვრული სკოლა (საქართველოში — 75 და 2), 4 ათ-მდე სპორტსკოლა (საქართველოში— 127), 180 ათ-მდე საბავშვო და სასკოლო ბ-კა (საქართველოში — 200-მდე) და სხვ.

სკოლისგარეშე მუშაობა, აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვებთან, მათი დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზაციის ფორმა, ბავშვთა უმეთვალყურეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი ღონისძიება. ს. მ-ს ატარებენ *სკოლისგარეშე დაწესებულებები,* სახ. განათლების ორგანოები, პიონერული, კომკავშირული, კულტ.-საგანმან. და სხვა საზ. ორგანიზაციები. მისი სახეებია ორგანიზაციულ-მასობრივი (დღესასწაულები კინოფესტივალები, კონკურსები, დათვალიერებები და სხვ.), საინსტრუქციო-მეთოდური (პიონერულ და კომკავშირულ აქტივთან, პიონერხელმძღვანელებთან, წრეებისა და კლუბების ხელმძღვანელებთან და სხვ.), სასწავლო (წრეები, ანსამბლები, თეატრები, ორკესტრები და სხვ.), საზოგადოებრივ-პოლიტიკური (საბრძოლო და შრომითი დიდების, სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციის ისტორია და სხვ.), საგანმანათლებლო, საზოგადოებრივად სასარგებლო (მშენებლობების, კოლ-ბებისა და საბჭ. მეურნეობებისათვის დახმარება და სხვ.), ჯანსაღ-კულტურულ-სპორტული, მხატვრულ-შემოქმედებითი. ს. მ. მიმდინარეობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმების საფუძველზე მოსწავლეთა ცხადტვირთვის თავიდან აცილების მიზნით.



სკოლიასებრნი. სკოლია-გიგანტი (Scolia maculata).



სკოლოპენდრისებრნი. გიგანტური სკოლოპენდრა თავს ისხმის ხელიკს.



ნ. სკომოროხოვი.



სკოპა. შაბუკის თავი. ათენა ალეას ტაძარი. ქ. ტეგეა. ძვ. წ. IV ს. ეროვნული მუზეუმი. ათენი.



სკოპა. „მენადა“. ძვ. წ. IV ს. რომაული პირი. მარმარილო. ქანდაკების კოლექცია. დრეზდენი.

სკრილის კვდომის თეორია, ეულგარულ-სოციოლოგიური მიმართულება საბჭ. პედაგოგიკაში, რ-იც გავრცელდა XX ს. 20-იანი წლების დასასრულს. ს. ჯ. თ-ის მიმდევართა აზრით, საჭირო აღარ არის სისტემ. სწავლა-განათლება, აღზრდა უნდა განხორციელდეს „საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით“. ისინი მივიდნენ უმართებულო დასკვნამდე, თითქოს კომუნისტურ საზ-ბაში სახელმწიფოს კვდომას მოჰყვება სკოლის კვდომაც, ხოლო მოზარდი თაობის სწავლება და აღზრდა განხორციელდება სკოლისგარეშე მუშაობის სხვადასხვა ფორმით. ამასთან დაკავშირებით ისინი უარყოფდნენ სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების სისტემ. სწავლებას და რჩევას იძლეოდნენ გაუქმებულიყო სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, უარყოფდნენ მასწავლებლის წამყვან როლს. ს. ჯ. თ. ამხილეს საკ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილებებში სკოლის შესახებ (1931, 1932, 1933) და შეაფასეს როგორც ოპორტუნისტული, ანტიმეცნ. თეორია, რ-საც სკოლა ნგრევისაკენ მიჰყავდა. იქვე საგანგებოდ არის აღნიშნული სოციალ. საზ-ბაში სკოლისა და მასწავლებლის დიდი როლი.

დ. გურგენიძე.

სკოლოპენდრისებრნი (Scolopendromorpha), ფეხსასხრიანების რიგი ტუჩფეხიანების კლასისა. მათი სხეულის სიგრძე 30 *სმ* აღწევს. აქვთ ბრტყელი სხეული, რ-იც შედგება თავისა და ტანისაგან. ტანის პირველ სეგმენტზე წყვილი მძლავრი ყბაფეხია, რ-ის ფუძესთან მოთავსებულია შხამიანი ჯირკვალი. ჯირკველის არხი ბრჭყალისებრ წვერში ისხნება. დანარჩენ სეგმენტებზე (უკანასკნელის გარდა) თითო ფეხია. ს. მტაცებლები არიან, იკვებებიან უხერხემლო და წვრილი ხერხემლიანებით. გვხვდებიან უმთავრესად ტროპიკებსა და სუბტროპიკებში, სსრკ-ში — მხოლოდ სამხრ-ით (ყირიმი, კავკასია, სამხრ. უკრაინა, წინაკავკასია, შუა აზია). აქტიური არიან ღამით. გიგანტური სკოლოპენდრის კბენა ადამიანსაც კლავს.

სკომოროხი, შუა საუკუნეების რუსეთში მსახიობი, რ-იც ერთდროულად იყო მომღერალი, მოცეკვავე, მუსიკოსი და პოეტი. სკომოროხობა აღმოცენდა არა უგვიანეს XI ს-ისა (გამოსახულება გვხვდება კიევის სოფიოს ტაძრის ფრესკებზე, 1037), განვითარების მწვერვალს მიაღწია XV—XVII სს-ში, ხოლო XVIII ს-იდან თანდათან გაქრა და ადგილი დაუთმო *ბალაგანს*. ს-ები გამოდიოდნენ ქუჩებსა და მოედნებზე, უშუალო კონტაქტს ამყარებდნენ მაყურებელთან და თავისი მხიარული წარმოდგენის თანამონაწილედ ხდიდნენ მას. XVI—XVII სს-ში ს-ები ერთიანდებოდნენ „ვატაგებად“ (70—100 კაცი). ეკლესია და სახელმწ. ხელისუფლება ხშირად დევნიდა მათ. 1648 და 1657 გამოიცა ბრძანებულება სკომოროხების აკრძალვის თაობაზე.

სკომოროხოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე (დ. 19. V. 1920, სოფ. ბელოგორსკოე, კრასნოარმეისკის რ-ნი, სარატოვის ოლქი), ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი (1972), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (23. II. და 18. VIII. 1945), სსრ კავშირის დამს. სამხ. მფრინავი (1971). სკკპ წევრი 1943-იდან. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1949) და გენ. შტაბის აკადემია (1958). დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში იბრძოდა ამერკავკ., ჩრდ.-კავკ., სამხრ.-დას. და უკრ. III ფრონტზე. განახორციელა 605 საბრძოლო გაფრენა, ჩაატარა 143 საჰაერო ბრძოლა და პირადად ჩამოაგდო მტრის 46 თვითმფრინავი. ომის შემდგომ წლებში მეთაურობდა საავიაციო ნაწილებს და შენაერთებს. 1973-იდან ი. გაგარინის სახ. სამხ.-საჰაერო ძალების აკად. უფროსი. ს. სსრკ VII, VIII და IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 8 სხვა ორდენითა და მედლებით.

სკოპა (Skopas), ძვ. წ. IV ს. ბერძენი მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი, გვიანდ. კლასიკის წარმომადგენელი. დაიბადა კ. პაროსზე, მუშაობდა ტეგეაში (ახლანდ. პიალი), ჰალიკარნასში (ახლანდ. ბოდრუმი, თურქეთი), საბერძნ. და მცირე აზიის სხვა ქ-ებში. როგორც ხუროთმოძღვარმა მონაწილეობა მიიღო ტეგეაში ათენა ალეას ტაძრისა (ძვ. წ. 350—340) და ჰალიკარნასის მავზოლეუმის (ძვ. წ. IV ს. შუა წლები) მშენებლობაში. ს-ს ნამუშევრებიდან ჩვენამდე მოღწეულია ჰალიკარნასის მავზოლეუმის ამაზონომაქიის კომპოზიციური ფრიზი (ძვ. წ. IV ს. შუა წლები, ბრიაქსისთან, ლეოქარესთან და ტიმოთეოსთან ერთად, ფრაგმენტები — ბრიტ. მუზეუმი, ლონდონი). ს-ს მრავალი ნამუშევარი ცნობილია რომაული პირებით („პოტოსი“, „ახალგაზრდა ჰერაკლე“, „მენადა“ და სხვ.). ს-მ უარყო V ს. ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ჰარმონიული მშვიდი სახეები და გადმოსცა ადამიანის სულიერი დაძაბულობა, ვნებათა ღელვა. მისი დინამ. კომპოზიციების ფიგურებისათვის დამახასიათებელია ღრმად ჩამჯდარი თვალები, ნაოჭები შუბლზე, ღია პირი. ს-მ დიდი გავლენა მოახდინა ელინისტურ ქანდაკებაზე, კერძოდ, ძვ. წ. III—II სს. ქ. პერგამონის ოსტატებზე.

ლიტ.: Чубова А. П., Скопас, Л.—М., 1959.

...სკოპი, ...სკოპია (<ბერძნ. skopēo— ვუყურებ, ვაკვირდები), რთული სიტყვის ნაწილი; აღნიშნავს ვიზუალურ დაკვირვებასთან დაკავშირებულს. მაგ., მიკროსკოპი, ელექტრონოსკოპია.

სკოპიე (Skonje), სკოპლე (Skoplje), ქალაქი იუგოსლავიის სამხრ. ნაწილში, მდ. ვარდარის ნაპირზე. მაკედ. სრ-ის დედაქალაქი. 405,9 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი ბელგრად—სალონიკის ხაზზე. ს-ში თავმოყრილია მაკედ. სამრეწვ. წარმოების 1/2. განვითარებულია კვების (თამბაქოს, ლუდის, საკონსერვო, საფქვავი, ხორცის), ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო მრეწვ.; ალკალოიდების წარმოება (ხაშხაშისაგან). შინამრეწველობა, უმთავრესად ხალიჩების ქსოვა. სახ. ხელისუფლების წლებში განვითარდა მეტალურგია, ალუმინის ნაკეთობათა და სას.-სამ. მანქანების წარმოება, ქიმ., მინის, ცემენტის, ავეჯის მრეწველობა. ხშირია მიწისძვრა. 1963 მიწისძვრის შედეგად დაინგრა შენობების 80%. ს-ში არის მაკედ. მეცნ. და ხელოვნ. აკადემია, უნტი.

დაარსდა VI ს-ში ანტ. ქ. სკუპის მახლობლად. IX—X სს-ში ბულგ. I სამეფოს შემადგენლობაშია, XIII ს. დამლევიდან სერბიის სამეფოს ეკუთვნის. *სტეფანე დუშანის* დროს იყო სერბია-ს-ბერძნ. სამეფოს დედაქალაქი. 1392—1912 ოსმალებს ეკუთვნოდა. 1913-იდან სერბიის სამეფოს, ხოლო 1918-იდან სერბების, ხორვატებისა და სლოვენების (1929-იდან იუგოსლავია) სამეფოს შემადგენლობაშია. 1941 ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. 1941—44 ანტიფაშისტური მოძრაობის ცენტრია. ფაშისტი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს 1944 ნოემბერში.

1963 მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქი აღდგენილია სოციალ. სახელმწიფოების, აგრეთვე ინტერნაც. დახმარებით. მიწისძვრამდე ს-ში იყო ადრინდ. ბიზანტ. ციხესიმაგრე და აკვედუკი (VI ს.), თურქ. მეჩეთები და სხვ. 1963 შემდეგ მიმდინარეობს სარესტავრაციო და აღდგენითი სამუშაოები. იაპ. არქიტ. კ. ტანგეს პროექტით განაშენიანდა ქალაქის ცენტრი — აშენდა ისტ. არქივის, პედ. აკადემიის, მაკედ. ეროვნ. თეატრისა და სხვ. შენობები. ს-ს მახლობლადაა ქ. სკუპის ნანგრევები (თეატრის, თერმების, ბაზილიკის, ნეკროპოლისის სამეთები), ეკლესიები — ნერეზიში წმ. პანტელეიმონისა (1164, ფრესკები), ჩუჩერის მახლობლად წმ. ნიკიტას მონასტრისა (1307—08, ფრესკები — ოსტატების მიხეილისა და ევტიხისა) და სხვ.

სკოპინი, ქალაქი რსფსრ რიაზანის ოლქში. სკოპინის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური უზლოვაია—რიაჟსკის ხაზზე. იღებენ ქვანახშირს. არის ავტოს-ააგრეგატო, მინის, პიდრომეტალ., ტექნოლ. მოწყობილობის ექსპერ., რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, ხალიჩის ნაწარმის, სამკერვალო ფ-კები, მხატვრულ ნაწარმთა წარმოება, კვების მრეწველობა. სას.-სამ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი.

სკოპინის კერამიკა, ქ. სკოპინში (რიაზანის ოლქი) შექმნილი თიხის ნაკეთობანი (უმთავრესად დოქები, სასანთლეები, მცირე ფორმის დეკორ. ქანდაკებები). ს. კ-ის წარმოება დაიწყო 1860-იან წლებში. 1914—18 ნაკეთობათა დეტალები მზადდებოდა ხელის დაზგაზე, შემდეგ მათ აერთებდნენ თხევადი თიხით, ამკობდნენ რელიეფებით და ჩაზნექილი ორნამენტით. 1934-იდან წარმოება აღორძინდა სკოპინის მხატვრულ ნაკეთობათა ფ-კაში. ს. კ-ის თანამედროვე ოსტატებმა (ი. მაქსიმოვი, მ. პელიონკინი, მ. ტაშჩეევი) განაგრძეს ძვ. ოსტატთა ტრადიციები.

სკოპოლია (Scopolia), მცენარეთა გვარი ძალყურძენასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი მაღალი ბალახებია. გვარში 4—6 სახეობაა. გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში (კავკასიასა და ევრ. ნაწილის დას.-ით) მხოლოდ 1 სახეობა გვხვდება — კარნიოლის ანუ კავკასიური ს. (S. caucasica). იგი საქართველოში (აჭარა, აფხაზეთი) იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ტენიან და დაჩრდილულ ტყეებში. მისი ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ფესვი და ფესურა შეიცავს ალკალოიდებს—ჰიოსციამინს და სკოპოლამინს; ს-ის 2 სხვა სახეობა შეიცავს ატროპინს. სამივე სახეობა სამკურნ. მცენარედ მოჰყავთ სსრკ-ში.

სკორბუტი, სავიტამინოზი, სურავანდი, ადამიანის დაავადება, რ-საც იწვევს საკვებში C ვიტამინის ანუ ასკორბინის მჟავას ნაკლებობა. ვიტამინს ძირითადად შეიცავს ახ. ბოსტნეული, მწვანილი, კენკრა და ხილი; მათი ხანგრძლივი შენახვისა და სითბური დამუშავების შედეგად C ვიტამინი იშლება. ს-ით უფრო ხშირად ავადდებიან გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. ს-ის ადრეული გამოვლინებაა საერთო, უმეტესად ნერვული დარღვევები, მოდუნება, სწრაფი დაღლა, ძილიანობა, თავბრუ, უფრო მოგვიანებით — ცხვირის, ტუჩების, თითებისა და ფრჩხილების ციანოზი, ღრძილების შესივება და ღრძილებიდან სისხლდენა, კბილების მორყევა და ცვენა. დამახასიათებელია წერტილოვანი სისხლჩაქცევები კანის თმის ფოლიკულებში, უმეტესად წვივებზე, თეძოებსა და დუნდულებზე, სისხლჩაქცევები კანქვემ და კუნთებში, ტანსაცმლით მექან. გაღიზიანების ადგილებში, აგრეთვე შინაგან ორგანოებსა და ღრუებში (უმეტესად ლევრაში), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოშლა (კუჭის წვენში მარილმჟავას შემცველობის დაქვეითება, ყაბზობა ან კუჭის აშლილობა), ჰიპოქრომული ანემია და სხვ. ს-ის დროს მკვეთრად ქვეითდება ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი სხვადასხვა ინფექციური დაავადებისადმი, გაცივებისადმი, ნელდება ჭრილობის და მოტეხილობის შეხორცება. მკურნალობა: ასკორბინის მჟავა დასალევად ან ინიექციები კუნთებში. პროფილაქტიკა: C ვიტამინით და ცხოველური ცილებით მდიდარი საკვების მიღება.

ლიტ.: Витамины, М., 1974; Боре-

м о в В. В., Авитаминоз и гиповитаминоз С (цинга), М., 1942.

სკორელი (Scorel) იან ვან (1. VIII. 1495, სხორლი, ქ. ალკმარის მახლობლად, — 6. XII. 1562, უტრეხტი), ნიდერლანდელი ფერმწერი. *რომანტიზმის* წარმომადგენელი. მიიღო მრავალმხრივი ჰუმანიტარული განათლება. ფერწერას სწავლობდა უტრეხტში ი. გოსარტთან (1516-იდან). 1518—24 იმოგზაურა გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, იყო პალესტინაში, მუშაობდა ბელვედერის ანტ. ძეგლების მცველად რომში. ს-ის ნამუშევრები გამოირჩევა პეიზაჟური ფონის პოეტურობით, ჟღერადი კოლორიტით. შექმნა აგრეთვე რამდენიმე რეალისტური პორტრეტი („მლოცველები იერუსალიმში", ცენტრ. მუზეუმი, უტრეხტი; ფ. ჰალსის მუზეუმი, ჰარლემი).



ი. ვან სკორელი. „მარიამ მაგდალინელი". სახელმწიფო მუზეუმი. ამსტერდამი.

სკორინა ფრანცისკ (1490-მდე, პოლოცკი, — 1541-მდე, პრაღა), ბელორუსი მეცნიერი-ჰუმანისტი და განმანათლებელი. 1504 სწავლობდა კრაკოვის უნ-ტში, სადაც მიიღო ფილოს. ბაკალავრის ხარისხი; 1512 პადუის უნ-ტში ჩაებარა გამოცდა მედ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. საგამომცემლო მოღვაწეობა დაიწყო პრაღაში. 1517 გამოსცა „ფსალმუნი" 1517 — 19 სლავ. ენაზე ბიბლიის 19 წიგნი ცალ-ცალკე, ერთ-ერთ მათგანს წამძღვარებული აქვს „კირილიცით" დაბეჭდილი ყველა წიგნისათვის საერთო სატიტულო ფურცელი — სლავ. წიგნის პირველი სატიტულო ფურცელი.

20-იანი წწ. დასაწყისისათვის ს. გადავიდა ვილნიუსში, სადაც სსრკ ტერიტორიაზე პირველი სტამბა დააარსა. 1522 გამოსცა „მცირე სამგზავრო წიგნი", 1525 — „სამოციქულო". ს. იყო ხალხთა ფართო განათლებისა და სოც. თანასწორობის მომხრე. მის სახელთანაა დაკავშირებული ბელორ. სალიტ. ენის ჩამოყალიბება და ბელორ. დამწერლობის განვითარება.

სკორჩეთი, სოფელი მესტიის რ-ნში (ხაიშის სოფსაბჭო), მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 800 *მ*, მესტიიდან 77 *კმ*. ხაიშის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. იდლიანში (5 *კმ*). ბ-კა.

სკოროგოგატოვი კონსტანტინე ვასილის ძე [22. II (6. III). 1887, სოფ. ალექსანდროვსკოე, ამჟამად ქ. ლენინგრადის ფარგლებშია, — 28. VII. 1969, ლენინგრადი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1953). 1903-იდან თამაშობდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, 1905-იდან გამოდიოდა პროფესიულ თეატრებში. 1928—35 ლენინგრ. დიდი დრამ. თეატრის, 1936-იდან პუშკინის სახ. აკად. დრამ. თეატრის (1951-იდან დირექტორი) მსახიობი. როლები: შეანდია (ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია"), გოდუნი (ლავრენიოვის „რღვევა"), ეგორ ბულიჩოვი, დოსტიგაევი, ლუკა (გორკის „ეგორ ბულიჩოვი და სხვები", „დოსტიგაევი და სხვები", „ფსკერზე"), იაგო (შექსპირის „ოტელო"), სუვოროვი (ბახტერევისა და რაზუმოვსკის „მხედართმთავარი სუვოროვი") და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941, 1948, 1949, 1951 — ორჯერ). დაჯილდოებულ ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითაა და მედლებით.

სკოროდუმოვი გავრილა ივანეს ძე [12 (23). III. 1755, პეტერბურგი, — 12 (23). VII. 1792, იქვე], რუსი გრავიორი და მინიატიურის მხატვარი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1764—73), 1773—82 იყო სამხატვრო აკად. პენსიონერი ლონდონში, სადაც თავდაპირველად მუშაობდა ფ. ბარტოლოცის ხელმძღვანელობით, შემდეგ — დამოუკიდებლად. აკადემიკოსი (1785). პუნქტირული მანირის გრავიურის ფუძემდებელი (ფერადისაც) რუსეთში. ს-ის ნამუშევრები შესრულებულია დახვეწილი და ფაქიზი ტექ. ხერხებით. ზოგიერთი მათგანი ან-ლოს დგას სანგინით ან ბისტრით შესრულებულ ნახატთან. ს. ავტორია მინიატიურული პორტრეტებისა (აკვარელი, კალამი).

სკოროხოდოვა ოლგა ივანეს ასული [დ. 11 (24). VII. 1914, სოფ. ბელოზიორკა, ახლანდ. ხერსონის ოლქი], საბჭ. მეცნიერ-დეფექტოლოგი, სსრკ პედ. მეცნ. აკად. დეფექტოლოგიის ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1948), პედ. მეცნ. კანდიდატი (ფსიქოლოგიაში, 1961). 5 წლისამ დაკარგა მხედველობა, შემდეგ — სმენა და მეტყველება. ხარკოვის ბრმა-ყრუ-მუნჯთა სკოლა-კლინიკაში 1925—41 გაიარა ზოგადსაგანმან. საშ. სკოლის სრული კურსი, აქ მას აღუდგინეს მეტყველება. 1944—48 მოსკოვში პროფ. ი. სოკოლიანსკის ხელმძღვანელობით მიიღო უმაღლესი განათლება, დაამთავრა ასპირანტურა. შექმნა ნაშრომები ბრმათა და ბრმა-ყრუმუნჯთა სწავლებისა და აღზრდის თეორიაში. მისი წიგნი „როგორ აღვიქვამ გარე სამყაროს" რამდენჯერმე გამოიცა და მიენიჭა კ. უშინსკის I და II ხარისხის, სსრკ პედ. მეცნ. აკად. პრემიები (1947, 1954, 1972). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

სკორპენისებრნი (Scorpaenidae), თევზების ოჯახი სკორპენისნაირთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 90 *სმ*, მასა — 1,5—2 *კგ* აღწევს. ზურგის ფარფლის სხივების ძირში შხამიანი ჯირკვალია მოთავსებული. ოჯახში 70-ზე მეტი გვარია. გავრცელებულია ცხელი და ზომიერი სარტყლების ზღვებში, სსრკ ზღვებში გვხვდება 4 გვარის 13 სახეობა. შავი ზღვის საქართვ. სანაპიროებთან გავრცელებულია ზღვის ჩიქვი (ზღვის მორიელი) (Scorpaena porcus). ს-ის ზოგი სახეობა ცოცხლადმშობია (მაგ. ზღვის ქორჭილა შობს 2 მლნ-მდე ლიფსიტას). იკვებებიან თევზებით და კიბოსნაირებით. აქვთ დიდი სარეწაო მნიშვნელობა. იყენებენ ნედლს, უმთავრესად გაყინულსა და შებოლილს. *მ. დემეტრაშვილი.*

სკოტები (გვიანდ. ლათ. Scotti, Scoti), კელტური ტომების ჯგუფი. პირველად იხსენიებიან გვიანდ. რომაული ხანის მწერლებთან რომის პროვინცია ბრიტანიაზე ს-ისა და პიქტების თავდასხმებთან დაკავშირებით. თავდაპირველად ირლანდიაში ცხოვრობდნენ, ამიტომ რომაულ წყაროებში ირლ. ერთ-ერთი სახელწოდებაა სკოტია. მოგვიანებით (ალბათ ახ. წ. I ათასწლ. შუა ხანებში) ს-ის ნაწილი ბრიტანიის ჩრდ-ში გადასახლდა, დაიპყრო პიქტები და დაარსა (IX ს. შუა წლები) შოტლანდიის (Scotland — სიტყვასიტყვით ს-ის ქვეყანა) სამეფო.

სკოტი (Scott) დეივიდ (დ. 6. VI. 1932, სან-ანტონიო, ტეხასის შტ.), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი. სამხ.-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი. დაამთავრა აშშ-ის სამხ. აკადემია უესტ-პოინტში და მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტი (1962). კოსმონავტთა ჯგუფშია 1963-იდან. 1966 წ. 16 მარტს ნ. არმსტრონგთან ერთად იფრინა კოსმოსში (6,5 ხვია) ხომალდით „ჯემინი-8"; ორბიტაზე პირველად შეუპირაპირეს ხომალდი სამიზნე რაკეტა „აჯენას". 1969 წ. 3—13 მარტს ჯ. მაკდივიტსა და რ. შვეიკართან ერთად იფრინა ხომალდით „აპოლონ-9" (151 ხვია). დაამუშავეს ხომალდიდან მთვარის კაბინის მოცილების ოპერაცია. 1971 წ. 26 ივლ. — 7 აგვ. კი ჯ. *ირვინსა* და ა. *უორდენთან* ერთად გაფრინდა მთვარეზე ხომალდით „აპოლონ-15", იყო ხომალდის მეთაური. ს-მა და ირვინმა მთვარეზე დაჰყვეს 66 *სთ*. 55 *წთ*. სამჯერ გამოვიდნენ მის ზედაპირზე (18 *სთ* 37 *წთ*), გადაადგილდებოდნენ მთვარე-მავლით.

სკოტი (Scott) დიუკინფილდ პენრი (28. XI. 1854, ლონდონი, — 29. I. 1934, ოკლი, ქ. ბეიზინგსტოუკის მახლობლად), ინგლისელი ბოტანიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1894-იდან). 1882—92 ასწავლიდა ლონდონის უნ-ტში; 1892—1906 მუშაობდა კიუს (ლონდონის მახლობლად) ბოტან. ბაღში. 1903 ფ. ოლივერთან ერთად აღწერა თესლოვანი გვიმრები, დაასაბუთა წარმოდგენა მცენარეული სამყაროს გენეტ. ერთიანობის, კერძოდ, სპოროვან და თესლოვან მცენარეებს შორის კავშირის შესახებ.

სკოტი (Scott) რობერტ ფოლკონ (6. VI. 1868, დევონპორტი, — დაახლ. 30. III. 1912), ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი. 1901—04 ხელმძღვანელობდა ექსპედიციას, რ-მაც მიაღწია ს. გ. 82°17'-ს, აღმოაჩინა ედუარდ VII-ის ნ.-კ., დრიგალსკის შელფური მყინვარი, კ. უაიტი, გამოიკვლია ვიქტორიას მიწა. 1911 ს-ის II ანტარქტ. ექსპედიციამ აღმოაჩინა ოტსის ნაპირი. 1912 წ. 18 იანვ. ს-მა 4 თანამგზავრთან ერთად მიაღწია სამხრ. პოლუსს (რ. *ამუნდსენზე* 35 დღით გვიან). უკან დაბრუნებისას ხუთივე დაიღუპა. ს-ის სახელი ეწოდა მთებს ენდერბის მიწაზე, ორ მყინვარს და კუნძულს სამხრ. ოკეანეში.

თხზ.: Последняя экспедиция Р. Скотта. (Дневники, прощальные письма), М., 1955.

სკოტი (Scott) სირილ მეირ (27. IX. 1879, ოქსფორდი, ჩეშირი, — 31. XII. 1970, ისტბორნი), ინგლისელი კომპოზიტორი. 1898 დაამთავრა კონსერვატორია მაინის ფრანკფურტში, 1898-იდან ცხოვრობდა ლივერპულში. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საფორტეპიანო და ვოკალურ ლირ. მინიატიურებს, რ-ებშიც ჩანს იმპრესიონიზმის ნიშნები, აღმოსავლეთის ეგზოტიკური კოლორიტი (საფორტეპიანო პიესები: „ლოტოსის ქვეყანაში", „ზანგური ცეკვა"; საფორტეპიანო ციკლი: „ეგვიპტე", „ინდური სიუიტა"). სხვა ნაწარმოებები: ოპერა „ალქიმიკოსი" (დაიდგა 1925), ბალეტი „უხეირო აფთიაქარი" (1923) და ოდები; თხზ. გუნდისა და ორკესტრისათვის, 3 სიმფონია, პიესა „რუსული ბაზრობა", 100-ზე მეტი სიმღერა. ს-ს ეკუთვნის ნაშრომი „მოდერნიზმის ფილოსოფია" (1917), გამოკვლევები მუს. ესთეტიკის დარგში, ლექსები და სხვ.

სკოტი (Scott) უოლტერ (15. VIII. 1771, ედინბურგი, — 21. IX. 1832, აბოტსფორდი), ინგლისელი მწერალი. მიიღო იურიდ. განათლება, მსახურობდა სასამართლოს მდივნად და შერიფად. ბავშვობიდანვე დაინტერესებული იყო შოტ. ისტორიითა და ფოლკლორით, გამუდმებით აგროვებდა და იწერდა ბალადებს, სიმღერებს, ლეგენდებს. მწერლობა დაიწყო თარგმანებით. 1800 გამოაქვეყნა პირველი ბალადა. 1802 გამოსცა „შოტლანდიის სასაზღვრო სიმღერები", რ-ებშიც ჩართული ჰქონდა საკუთარი ბალადებიც. 1805-იდან წერდა პოემებს შუა საუკ. ისტ. თემებზე, მ. შ. აღსანიშნავია „უკანასკნელი მენესტრელის სიმღერა" (1805), „მარმიონი" (1808), „ტბის ქალ-



სკოპოლია. Scopolia Caucasika: ა — ფესური; ბ — მცენარის ზედა ნაწილი



ჯ. სკორობოგატოვი.



ვ. სკოროდუმოვი. ვ. დაშკოვას პორტრეტი. გრავიურა პუნქტირით ... 1777.



დ. სკოტი.



რ. ფ. სკოტი.



უ. სკოტი.



პ. სკოფილდი პამლეტის როლში (უ. შექსპირის „ჰამლეტი").



ა. სკოჩინსკი.



ა. სკრიაბინი.

წული" (1810) და სხვ. 1814 ანონიმურად გამოსცა პირველი ისტ. რომანი „უეივერლი" (1805. გამოქვეყნდა 1814), რ-მაც ევრ. ლიტ-რაში ისტ. რომანის ჟანრის ფუძემდებლის სახელი მოუტანა. ს-მა დაწერა 30-მდე რომანი, რ-თაც პირობითად სამ ციკლად ყოფენ მოქმედების ადგილის მიხედვით: შოტ. ციკლშია „უეივერლი", „გაი მენერინგი" (ტ. 1–3, 1815), „ანტიკვარი" (ტ. 1–3, 1816), „პურიტანები" (1816); „რობ როი" (ტ. 1 – 3, 1818), „ედინბურგის დილეგი" (1818) და სხვ.; ინგლ. ციკლი მოიცავს რომანებს „აივენჰო" (ტ. 1–3, 1820), „მონასტერი" (ტ. 1–3, 1820), „აბატი" (1820), „ვუდსტოკი" (ტ. 1–3, 1826) და სხვ.; საფრ. და სხვა ქვეყნების ისტ. წარსულს ასახავს რომანები „კვენტინ დორვარდი" (1823), „თილისმა" (1825), „გრაფი რობერტ პარიზელი" (1832). ს-ის ზოგიერთი რომანი არაისტორიულია და მის თანამედროვე ცხოვრებას ასახავს („სენტ-რონანის წყლები", ტ. 1–3, 1824). ს-ის თითქმის ყველა რომანში წამოჭრილია გარკვეული ეპოქის სოც. უსამართლობის, ეროვნ., კლასობრივი ბრძოლის პრობლემები; მწერალი ღრმად ერკვევა რევოლუციების თუ ომების ზნეობრივ და ყოფით მხარეებში, ეპოქის საზ. წინააღმდეგობებში, ხალხის ზნე-ჩვეულებებში. არა ერთ რომანში ჭარბობს რომანტ. ელემენტი, თუმცა დომინანტურია რეალისტური მეთოდი. ზოგჯერ შეინიშნება კრიტ. რეალიზმის ჩანასახიც.

ს-ს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი მოთხრობა და ნოველა, ისტ. და ლიტ. ნაშრომები; აღსანიშნავია მისი თხზულებები „ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრება" (ტ. 1–9, 1827), „შოტლანდიის ისტორია" (ტ. 1–3, 1829–30), „ლორდ ბაირონის სიკვდილი" (1824), „რომანისტების ბიბლიოთეკა" (ტ. 1–10, 1821–24).

ს-ის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტ-რის ისტორიაში. მან დაამკვიდრა ისტ. რომანის ჟანრი, მისი კანონები, წინამორბედ ფსევდოისტ. რომანს შესძინა პრობლემათა სერიოზულობა, ისტ. სიზუსტე. მის მიერ შექმნილმა ამ ჟანრმა დიდი როლი შეასრულა ევრ. ლიტ-რის განვითარებაში.

ს-ის შემოქმედებას საქართველოში გაეცნენ XIX ს. დასასრულს. მისი მოთხრობა „პიგლანდიელი ქვრივი" თარგმნა ა. თუმანიშვილმა 1882, ხოლო „აივენგო"— ი. ბაქრაძემ (ტფილისი, 1895).

თხზ.: Works, v. 1–50, Boston, 1912–13; Poetical works, Oxf., 1940; Собр. соч., т. 1–20, М.—Л., 1960–65; აივენჰო, თბ., 1980; რობ-როი, (ს. ცივისაშვილის წინასიტყვ.), თბ., 1978.

ლიტ.: Елистратова А. А., Скотт, Вальтер. *История английской литературы*, т. 2, в. 1, М., 1953. *ნ. ბადრიაშვილი.*

სკოტის ნაპირი (Scott Coast), ვიქტორიას მიწის (აღმ. ანტარქტიდა) დას. სანაპიროს ნაწილი. სიგრძე 400 *კმ*. ესაზღვრება როსის ზღვა. დიდი ნაწილი უჭირავს პრინს-ალბერტის მთებს (2500 *მ*). ს. ნ. შემოსაზღვრულია შელფური და მთისპირა მყინვარებით. ადგილ-ადგილ თავისუფალია ყინულისაგან. ს. ნ-ზეა უდიდესი ოაზისი ვიქტორია, სადაც მდებარეობს ყინულით დაფარული ტბები, მათი წყლის ტემპ-რა ფსკერთან 20–25°C-ზე მეტია. აქვეა ახალი ზელანდიის სამეცნ. სადგური ვანდა. ს. ნ. ეწოდა რ. *სკოტის* პატივსაცემად.

სკოფილდი (Scofield) პოლ (დ. 21. I. 1922, პერსტპიერპოინტი, სასექსი), ინგლისელი მსახიობი. სწავლობდა სარეპერტუარო თეატრთან (1939, კროიდონი) და თეატრ „მასკთან" (1940–41, ლონდონი) არსებულ სკოლებში. 1944 – 46 გამოდიოდა ბირმინგემის სარეპერტუარო თეატრში, 1946–48 – შექსპირის მემორიალურ თეატრში (სტრეტფორდ-ონ-ეივონი), 1949-იდან გამოდიოდა ლონდონის სხვადასხვა თეატრებში. ს-ის საუკეთესო როლია ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი"). სხვა როლები: მღვდელი („ძალაუფლება და დიდება", გ. გრინის მიხედვით), ტომას მორი (ბოლტის „ყველა დროის ადამიანი"), ლირი, მაკბეთი (შექსპირის „მეფე ლირი", „მაკბეთი"), ტრეპლევი, ვოინიცკი (ჩეხოვის „თოლია", „ძია ვანია"), ხლესტაკოვი (გოგოლის „რევიზორი"). სცენასტროლოდ იყო სსრკ-ში, სადაც შეასრულა ჰამლეტის (1955), ლირის (1964) და მაკბეთის (1968) როლები. 1954-იდან იღებენ კინოში.

ლიტ.: Ковалев Ю. В., Пол Скофилд, М., 1970.

სკოშის ზღვა, სკოტიის ზღვა (Scotia Sea), სამხრეთი ოკეანის ატლანტიკური სექტორის ნაწილი, სამხრ. გეორგიის, სამხრ. სენდვიჩისა და სამხრ. ორკნეის კ-ებს შორის. დას-ით დრეიკის სრუტით უერთდება წყნარ ოკეანეს. ფართ. 3 მლნ. *კმ*² აღემატება, სიღრმე 5000 *მ*-ზე მეტია. წყლის ტემპ-რა ზედაპირზე 6-იდან –1°C-მდე. მარილიანობა დაახლ. 34‰. ზღვის სამხრ. ნაწილი წლის მეტ დროს დაფარულია მოდრეიფე ყინულით. ვეშაპის რწევა. სახელი ეწოდა 1932 შოტ. ატნრაქტ. ექსპედიციის გემის სახელის მიხედვით.

სკოჩინსკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე [1 (13). VII. 1874, სოფ. ოლიოკმა, ახლანდ. იაკუტ. ასსრ, – 6. X. 1960, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი მაღაროს აეროლოგიის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935), სოციალ. შრომის გმირი (1954). დაამთავრა პეტერბ. სამთო ინ-ტი (1900). პროფესორი ამავე ინ-ტისა (1906–30) და მოსკ. სამთო ინ-ტისა (1930–60), სსრკ მეცნ. აკად. სამთო საქმის ინ-ტის დირექტორი (1938 – 60), სსრკ მეცნ. აკად. დას. ციმბ. ფილიალის პრეზიდიუმის თავ-რე (1944–51). შექმნა გვირაბებში ჰაერის მოძრაობის თეორია, მტვერსაწინააღმ აეროდინამიკური რეჟიმების თეორია, წამოაყენა შახტებში აირის გამოყოფის მართვის პრობლემები და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950, 1951). დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Рудничная атмосфера, 2 изд., М.—Л.—Новосиб., 1933; Рудничная вентиляция, М.—Л., 1949 (თანაავტ.: В. Б. Комаров); Рудничные пожары, 2 изд., М., 1954 (თანაავტ.: В. М. Огиевский).

სკრა, სოფელი გორის რ-ნში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. რკინიგზის სადგური. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ახალიზა, დიდი გორიჯვარი, კოშკები, პატარა გორიჯვარი, ქვემო რიეთი). ზ. დ. 620 *მ*, გორიდან 8 *კმ*. საქ. სსრ სოფ. მეურნ. სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საცდელი სადგური (მეხილეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

სკრანტონი (Scranton), ქალაქი აშშ-ში, პენსილვანიის შტატში. 87 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 628 ათ. (1980). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ქვანახშირის მომპოვებელი რ-ნის ცენტრი. ელექტრონული, საფეიქრო, სამკერვალო, მანქანათაშ. მრეწველობა. უნ-ტი. დაარსდა 1788.

სკრა–ძარელის არხი, სარწყავი არხი აღმ. საქართველოში, შიდა ქართლის ვაკეზე. გამოყვანილია მდ. მტკვრის წყალი. სათავე უდევს სოფ. ახალსოფელთან, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. მაგისტრალური არხის სიგრძეა 27,5 *კმ*. გამტარუნარიანობა 2,2 $მ^3/წმ$. ექსპლუატაციაშია 1947-იდან. რწყავს ქარელისა (1802 ჰა) და გორის (456 ჰა) რ-ნების მიწებს.

ვ. გვაბარია.

სკრაბი, სკრაბი (ინგლ. scrub), ქსეროფილური ბუჩქნარი ავსტრალიის მშრალ რ-ნებში. მასში გაბატონებულია ან ბუჩქისებრი ევკალიპტები (მალო-ს.), ან აკაციები (მელგა-ს. და ბრიგელოუ-ს.), კაზუარინები, პარკოსანთა და მირტისებრთა ოჯახების ნახევრად ბუჩქები. ბუჩქების სიმაღლე 2 *მ* აღწევს, ს-ის მცენარეებს ცვილისებრი ნაფიფქით დაფარული აქვთ მონაცრისფრო-მწვანე ფოთლები. ზოგჯერ ფოთლები გადაქცეულია *ფილოდიუმებად* (აკაციების) ან ეკლებად. ს-ში ბაღახოვანი მცენარეები ძალიან ცოტაა; გავრცელებულია კორდოვანი მარცვლოვანები, ერთწლოვანი უკვდავები, მლაშობურები, ზოგიერთი სუკულენტი.

სკრეპერი (ინგლ. scraper <scrape – ფხეკა), 1. ციკლური მოქმედების მიწა-სათხრელი სატრანსპორტო მანქანა, რ-ის ჩამჩა გრუნტს შრეებად აცლის დასამუშავებელ ზედაპირს, გადააქვს მოჭრილი გრუნტი ნაყარში ან ამანდაკებს მას. ს-ს იყენებენ მშენებლობაში, სამთო მრეწველობაში და სხვ. სსრკ-ში გამოყენებული ს-ის ჩამჩის ტევადობაა 3–25 $მ^3$. გადაადგილების ხერხის მიხედვით ს. არის ტრაქტორზე მისაბმელი, ნახევრად მისაბმელი და თვითმავალი.

2. ბაგირიანი სასკრეპერო დანადგარის ჩამჩა; იყენებენ მიწის ზედაპირზე მიწის ქვეშა და წყალქვეშა საექსკავაციო, სატრანსპ. და სხვა სამუშაოების შესრულების დროს. ს-ს გადააადგილებს ჯალამბარი ბაგირებისა და ბლოკების სისტემის მეშვეობით.



სკრეპერი. მისაბმელი ავტომატიზებული სკრეპერი დ—498ა.

სკრიაბინევოზი, ცხვრის, თხის, ჩრდილოეთის ირმისა და ზოგიერთი გარეული ნცოხნავის ჰელმინთოზი, რ-საც იწვევენ სკრიაბინემას (skrjabinema) გვარის *ნემატოდები*. პარაზიტობენ ცხოველთა მსხვილ ნაწლავებში. გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში. საქართველოში გამოვლენილია სვანეთისა და აფხ. რ-ნებში. მკურნალობა ჯერჯერობით არაა შემუშავებული. პრ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ცხოველთა შენახვა ზოო-ჰიგიენური წესების დაცვით.

ბ. ჩიტიაშვილი.

სკრიაბინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [25. XII. 1871 (6. I. 1872), მოსკოვი, – 14 (27). IV. 1915, იქვე], რუსი კომპოზიტორი და პიანისტი. დაიბადა დიპლომატის ოჯახში, დედა პიანისტი იყო. 1892 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ვ. საფონოვის საფორტეპიანო კლასი. კომპოზიციას ასწავლიდნენ ს. ტანეევი და ა. არენსკი). 1895–96 კონცერტებს მართავდა რუს. ქ-ებსა და ევრ. ქვეყნებში (განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა საკუთარ საფორტეპიანო ნაწარმოებებს). 1898–1903 მოსკ. კონსერვ. პროფესორი (საფორტეპიანო კლასი). 1904–09 ცხოვრობდა შვეიცარიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. შემოქმედებით მუშაობას უთავსებდა საკონცერტო მოღვაწეობას ევროპასა და ამერიკაში. 1910-იდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მოსკოვში.

ს-ის შემოქმედება ორი საუკუნის მიჯნის მსოფლიო მუს. კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენაა. რახმანინოვთან ერთად იგი რუს. კლასიკური მუსიკის უკანასკნელი წარმომადგენელია. რუს კლასიკოს კომპოზიტორთაგან ს. ყველაზე მეტადაა დაკავშირებული დასავლეთევრ. რომანტიზმის (შოპენი, ლისტი, ნაწილობრივ ვაგნერი) ტრადიციებთან. ს-ის მუსიკაში ძალზე სუბიექტურად, ამავე დროს მძაფრად და მკაფიოდ აისახა რევ. წინა პერიოდის რუს.

ატმოსფერო. ს-ის შემოქმედება რთული, არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია. მისი მუს. ენა მეტად რთულია, ფილოს. მსოფლმხედველობა — ბუნდოვანი. ამაყე დროს ს. ნოვატორი კომპოზიტორია. მისი საუკეთესო ქმნილებები ღრმად ემოციურია და მაღალი მხატვრულ-ესთეტ. თვისებებით ხასიათდება. ს-მა შექმნა თავისი ბგერითი სამყარო, მხატვრულ სახეთა და გამომსახველობით ხერხთა სისტემა.

ს-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა მთლიანად გაიშალა საფორტეპიანო და სიმფ. მუსიკის ჟანრებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ორიგინალურია მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები: პრელიუდიები, ეტიუდები, პოემები, 10 სონატა (1892—1913), კონცერტი (1897) და სხვ.

სიმფ. ჟანრს ს. მიმართავდა მოწიფულობაში, როდესაც ჩამოყალიბდა მისი ფილოს. მსოფლმხედველობა. ს-ს შექმნილი აქვს 3 სიმფონია (I — 1900, II — 1902, III—„ღვთაებრივი პოემა"— 1904), ერთნაწილიანი სიმფ. პოემები („ექსტაზის პოემა" —1907 და „ცეცხლის პოემა" ანუ „პრომეთე" 1910), დაუმთავრებელი „მისტერია".

ს-ის სიმფ. ქმნილებები გამოირჩევა მონუმენტურობით, ზოგჯერ დეკორატიულობით, ფართო დინამ. ამპლიტუდით — უფაქიზესი პიანოდან — გრანდიოზულ კულმინაციებამდე. ს-მა გაზარდა ორკესტრის შემადგენლობა, შეიყვანა მასში ორგანი, ზარები, „პრომეთეში" კი — გუნდი და სინათლის სპეც. პარტია (მხატვრულ ხერხთა სინთეზის პირველი შემთხვევა). ს-ის სიმფ. მუსიკის შედევრებია „ექსტაზის პოემა" და „პრომეთე", ორიგინალურია როგორც მათი ჩანაფიქრი, ისე მხატვრული გადაწყვეტა. თემატური მასალა გამოირჩევა აფორისტული მკაფიობით (თემა — სიმბოლოები, რ-ებიც სულის ამა თუ იმ მდგომარეობას გადმოგვცემს, მაგ., „ოცნების", „ნებისყოფის", „თვითდამკვიდრების" თემები). მუსიკა დაძაბული და ექსპრესიულია, პარმონიული, ენა — მერყევი, დისონანსური, მუს. ფაქტურა — პოლიფონიზებული. ს-ის შემოქმედებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა XX ს. მუსიკაზე.

ს-ის ბინაში, მოსკოვში, 1922-იდან გახსნილია სახლ-მუზეუმი.

ლიტ.: Дельсон В. Ю., Скрябин, М., 1971. *გ. ტორაძე.*

სკრიაბინი კონსტანტინე ივანეს ძე [25. XI (7. XII). 1878, პეტერბურგი, — 17. X. 1972, მოსკოვი], საბჭ. ჰელმინთოლოგი, სსრკ-ში ჰელმინთოლოგიური მეცნ. ფუძემდებელი. სსრკ მეცნ. აკად. (1939), ლენინის სახ. საკავშ. სას.-სამ. აკად. (1935), სსრკ მედ. მეცნ. აკად. (1944) აკადემიკოსი, სოციალ. შრომის გმირი (1958). 1905 დაამთავრა იურიევის (ტარტუს) ვეტ. ინ-ტი. ს-ის გამოკვლევები ეხება ჰელმინთების მორფოლ., ბიოლ., ფილოგენიის, სისტემატიკის, ეკოლ., ეპიზოოტოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის საკითხებს. მის მიერ დამუშავებული დეჰელმინთიზაციისა და დეგასტაციის პრინციპები საფუძვლად დაედო ადამიანის, სას.-სამ. ცხოველებისა და მცენარეების *ჰელმინთოზებთან* ბრძოლას.

ს. იყო საფრ., ბულგ., უნგრ., პოლ., ჩეხოსლ., იუგოსლ. და სხვა ქვეყნების მეცნ. აკად. წევრი, უცხოეთის მრავალი სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი. მისი სახელი მიეკუთვნა ჰელმინთოლოგიის საკავშ. ინ-ტს, მოსკ. ვეტ. აკადემიას და სხვ. 1973 დაწესდა ს-ის სახ. მედალი. ს-ს მინიჭებული აქვს სსრკ სახელმწ. (1941, 1950) და ლენინური (1957) პრემიები. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენით და მედლებით.

სკრიბი (Scribe) ოგიუსტენ ეჟენ (25. XII. 1791, პარიზი, — 21. II. 1861, იქვე), ფრანგი დრამატურგი. საფრ. აკად. წევრი 1834-იდან. დაწერა მრავალი ვოდევილი და კომედია, მელოდრამა და ოპერის ლიბრეტო. ასახავდა ბურჟ. ყოფას. წარმატება ჰქონდა მის პიესებს: „ფავორიტი ქალი" (1831), „ბერტრანი და რატონი ანუ შეთქმულების ხელოვნება" (1833), „ჭიქა წყალი..." (1840), ისტ. დრამა „ადრიენ ლეკუვრერი" (1849, ე. ლეგუვეისთან ერთად) და სხვ.

სკრინსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (დ. 15. I. 1936, ორენბურგი), საბჭ. ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1970). დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნტი (1959). 1959-იდან მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის ბირთვული ფიზ. ინტში, ერთდროულად 1967-იდან ნოვოსიბირსკის უნ-ტის პროფესორია. მისი უმთავრესი შრომები ეხება მაღალ ენერგიათა ფიზიკას და დამუხტული ნაწილაკების აჩქარებლების ტექნიკას. სხვებთან ერთად დაამუშავა შემხვედრ კონათა მეთოდი (ლენინური პრემია, 1967), დაამუშავა აგრეთვე და ააგო ელექტრონ-ელექტრონული და ელექტრონ-პოზიტრონული შემხვედრი კონების დანადგარები, ჩაატარა მათზე ცდები და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: О движении сгустка частиц в накопителе с произвольным полем, «Доклады АН СССР», 1970, т. 192, № 6 (თანაავტ.).

სკრიპტორიუმი (გვიანდ. ლათ. scriptorium < ლათ. scriptor — გადამწერი), გადამწერთა სახელოსნოები VI—XII სს. დას. ევროპის მონასტრებში. ს-ში იწერდნენ წიგნებს ეკლესიებისა და წარჩინებულთათვის. ცნობილი იყო ტურის, კორბის, ფულდის და სხვ. ს-ები. აქ შემუშავდა შუა საუკ. წიგნის წერის ძირითადი ტიპები. XII ს. მიწურულიდან ქალაქების ამქრულმა სახელოსნოებმა ს-ის საქმიანობა თანდათან შეავიწროვეს.

სკრის მეხილეობის საცდელი სადგური საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო კომიტეტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, დაარსდა 1932 გორის რ-ნში. აქვს განყ-ბები: მეხილეობის აგროტექ., მევენახეობის აგროტექ., სელექციის, მცენარეთა დაცვის, აგროქიმ. და ბიოქიმიის, იკვლევს აღმ. საქართვ. (ძირითადად ქართლის) პირობებში ხეხილის ბაღების ინტენსიურად გაშენების პროგრ. აგროტექნიკასა და პერსპექტიული ჯიშების გამოყვანა-გამოცდინების საკითხებს. აქვს ახალციხის საყრდენი პუნქტი, ექსპერ. ბაზა, ბ-კა და სხვ. *ნ. ჩხიკვაძე.*

სკრის საბრძოლო, იხ. *ატამი.*

სკროფულოდერმა (გვიანდ. ლათ. scrofulae — ლიმფური კვანძების გადიდება და *დერმა*), კანის ტუბერკულოზის ერთ-ერთი კლინიკური ფორმა.

სკრუბერი (ინგლ. scrubber <scrub — ხეხვა, წმენდა), აირთა ნარევიდან მყარი (მტვერი, ფისი და სხვ.) და აირისებრი მინარევების (გოგირდწყალბადი, ამიაკი და სხვ.) მოსაცილებელი აპარატი; ფართოდ იყენებენ კოქსის პროდუქტების დასაჭერად და მტვრისაგან სამრეწვ. აირების გასაწმენდად (იხ. *კოქსქიმია, აირწმენდა*), დასატენიანებლად და გასაცივებლად. აგრეთვე სხვადასხვა ქიმ.-ტექნოლ. პროცესში. ს-ს სასარგებლო წიაღისეულის გასარეცხ დოლურ მანქანასაც უწოდებენ.

სასარგებლო წიაღისეულის (250—300 *მმ* სისხლს ნაჭრების) გასარეცხად გამოყენებული ს. ცილინდრული ან კონუსური ფორმის დოლია. მასში ჩასატვირთი მასალა დოლში შნეკის საშუალებით გადაადგილდება და წყლით გაირეცხება. წყლისა და მასალის მიწოდების ხერხის მიხედვით ს. არის პირდაპირი დინებისა (მასალა და წყალი მოძრაობს ერთი მიმართულებით) და წინაღდეგნიანი (მასალა და წყალი მოძრაობს საპირისპიროდ). ს-ის სახესხვაობაა ნიჩბიანი წისქვილი, რ-ის დოლის შუაში ნიჩბებიანი მბრუნავი ლილვია.

ს-ის პარამეტრები: სიგრძე — 3—10 *მ*, დიამეტრი — 1,5—4 *მ*, წყლის ხარჯი — 3—6 $მ^3$/წ, რეცხვის ხანგრძლივობა — 2—12 *წთ*, მწარმოებლურობა — 25-იდან 200 ტ-მდე *სთ*-ში.

სკუდიერი ჟოვანი (რუსეთში ივანე ბორისის ძედ წოდებული) (1817, პადუა, — 5. VI. 1851, თბილისი), არქიტექტორი, ეროვნებით იტალიელი. 1831 დაამთავრა უმაღლესი საიმპერატორო-სამეფო სასწავლებელი პადუაში. 1837 გაემგზავრა რუსეთში. თავდაპირველად მუშაობდა ოდესაში. 1846 კავკ. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა გადმოიყვანა თბილისში და დანიშნა თბილ. საქალაქო ხუროთმოძღვრის მოვალეობის შემსრულებლად. 1847-იდან იყო მეფისნაცვლის კანცელარიის საკარანტინო ნაწილის არქიტექტორი. დაიღუპა ხარაჩოებზე სამხ. ტაძრის მშენებლობის დროს (შენდებოდა მისი პროექტით). ს-ს პროექტით აშენდა ყოფილი ვორონცოვის ხიდი (ახლანდ. მარქსის ხიდი) და თეატრისა და ქარვასლის შენობა ყოფილი ერევნის (ახლანდ. ლენინის სახ.) მოედანზე.



გ. სკრიაბინი.

სკუმბრიასებრნი, მაკრელისებრნი (Scombridae), თევზების ოჯახი ქორჭილასნაირთა რიგისა. აქვთ თითისტარისებრი, გვერდებიდან ოდნავ შებრტყელებული სხეული. ს. დაახლ. 15 გვარს მოიცავს. გავრცელებულია ტროპ., და ზომიერი სარტყლების ზღვებში. სსრკის წყლებში ბინადრობს სკუმბრია (Scomber), *პელამიდა, თინუსი*. საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროებთან გვხვდება თინუსი (Thunnus thynus), პელამიდა (Sarda sarda), სკუმბრია (Scomber scombrus). ს-ის უმრავლესობა ძვირფასი სარეწაო თევზია. *მ. დემეტრაშვილი.*

სკუნსი, იგივეა, რაც *მგრალა*.

სკუპა (Scupa) იოსებ (16. I. 1892, სტრაკონიცე, — 8. I. 1957, პრაღა), ჩეხოსლოვაკიელი თეატრალური მოღვაწე, მსახიობი, რეჟისორი, თოჯინების თეატრის მხატვარი. ჩეხოსლ. სრ სახ. არტისტი (1948). როგორც მხატვარმა შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო 1916 პლზენის მარიონეტების თეატრში. აქვე გამოდიოდა თოჯინა კაშპარეკით. 1930 პლზენში შექმნა „სპეიბლისა და გურვინეკის თეატრი". 1945-იდან გამოდიოდა პრაღაში. 1933—57 იყო თოჯინების თეატრის მსახიობთა საერთაშ. კავშირის პრეზიდენტი. ჩეხოსლ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1955).



ა. სკრინსკი.



ი. სკუპა თოჯინებით სპეიბლითა და გურვინეკით.

სკუპშჩინა, ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში. არსებობს თემის, ავტონ. მხარეების, რესპუბლიკებისა და თვითონ იუგოსლ. სფრ-ის ს-ები. იხ. *იუგოსლავია*, სახელმწიფო წესწყობილება.



სკუმბრიასებრნი: 1 — სკუმბრია; 2 — ლურჯფარფლა თინუსი; 3—პელამიდა; 4—სამფეხა მაკრელი; 5 — ზოლებიანი თინუსი; 6—მაკრელისებრი თინუსი; 7—ვახუ-

სკურა, სოფელი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში (ლეღვის სოფსაბჭო), აჭარა-გურიის მთისწინეთში, მდ. ოჩხამურის ნაპირებზე. ზ. დ. 160 *მ*, ქობულეთიდან 20 *კმ*, ოჩხამურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. ლეღვის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

სკურატოვ-ბელსკი გრიგოლ ლუკიანეს ძე (მ ა ლ ი უ ტ ა) (დ. წ. უცნობია, — 1. I. 1573, ციხესიმაგრე ვაისენშტაინის მახლობლად, ახლანდ. პაიდე, ესტ. სსრ), ოპრიჩნინის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ივანე IV-ის დროს. წარმოშობით მაღალი არისტოკრ. წრიდან იყო. დაწინაურდა 1569, მონაწილეობდა ივანე IV-ის ბიძაშვილის ვ. სტარიცკის სიკვდილით დასჯაში, ნოვგოროდის ათასობით მოსახლის გაულეტაში. დაიღუპა ყირიმის ხანთან—დევლეთ-გირეისთან ბრძოლაში.

სკურდი, სოფელი გეგეჭკორის რ-ნში (გაჭედილის სოფსაბჭო), მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 250 *მ*, გეგეჭკორიდან 8 *კმ*. გაჭედილის კოლ-ბა „ავანგარდი" (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. გაჭედილში (უშუალოდ ესაზღვრება). ბ-კა, ამბულ., აფთიაქი.

სკურდიდი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (აჭარისაღმართის სოფსაბჭო), მდ. სკურდიდის (მაჭახელის წყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 450 *მ*, ხელვაჩაურიდან 28 *კმ*. ქედქედის XVIII პარტყრილობის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. აჭარისაღმართში (8 *კმ*).

სკურია, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (მენჯღის სოფსაბჭო), მდ. ცივის ხეობაში. ზ. დ. 70 *მ*, ცხაკაიადან 8 *კმ*. ახალსენაკის დაფნის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა.

სკურის ციხე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დას. საქართველოში, სამეგრელოში, მდ. ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე, ახლანდ. სოფ. სკურიას (ცხაკაიას რ-ნი) სამხრეთით. ნანგრევებიღაა შემორჩენილი. უძველესი სამშენებლო ფენა II—IV სს-ისაა. ს. ც. წარმოადგენდა ნალისებური ფორმის გალავნიან კოშკს.

თ. ბერაძე.

სკურჩის სახელმწიფო ნაკრძალი, მდებარეობს აფხ. ასსრ-ში, ოჩამჩირის რ-ნში, ზღვის სანაპირო ვაკეზე სკურჩის დასახლებასა და სოფ. წყურგილს შორის, დაარსდა 1971. საერთო ფართობია 85 ჰა, ტყით დაფარული — 63,5 ჰა. აქ ხარობს რელიქტური მცენარეები: კოლხური ბზა, კოლხური ლეღვი, ჰარტვისის მუხა, ლაფანი, კოლხური ჯონჯოლი, შქერი, კოლხური სურო და სხვ. რამდენიმე ჰექტარზე ბამბუკი და ევკალიპტია გაშენებული. ძუძუმწოვრებიდან გვხვდება კურდღელი, ფრინველებიდან—თოლია, შავი შაშვი, კოდალა და სხვ. *დ. ახრახაძე.*

სკუტერი (scooter < scoot — ქროლა), ერთადგილიანი სპორტული სარბოლი ნავი, რ-საც აქვს საკიდი შიგაწვის ძრავა. გეგმაში სამკუთხედის ან ოთხკუთხედის ფორმისაა; აქვს ბრტყელი ძრო რედანი-თურთ. მისი სიჩქარეა 80 *კმ/სთ* და მეტი.

სლაბი (ინგლ. slab, სიტყვასიტყვით — ფილა), მეტალურგიული წარმოების ნახევარპროდუქტი, სწორკუთხა კვეთის ფოლადის ნამზადი, რ-საც ღებულობენ ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარებზე ან ზოდის *სლაბინგზე* (უფრო იშვიათად *ბლუმინგზე*) მოჭიმვით. ს-ის სიგანეა 400—2500 *მმ*, სიმაღლე (სისქე) — 75—600 *მმ*. ს-გან ღებულობენ ფურცლოვან ნაგლინს.

სლაბინგი (ინგლ. slabbing), მაღალმწარმოებლური საგლინი დგანი, რ-ის დანიშნულებაა დიდი ზოდების (45 ტ-მდე მასა) სლაბებად მოჭიმვა; აქვს 2 წყვილი გლინი: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. შედარებით მეტად გავრცელდა უნივერს. ორგალიანი ს. პირველ გალს აქვს 2 პორიზ. გლინი (დიამეტრი — 1100—1370 *მმ*), მეორეს — 2 ვერტ. გლინი (დიამეტრი — 900—1220 *მმ*). მეორე გალი პირველის გვერდით ისეა მოთავსებული, რომ სლაბი ერთდროულად ორივე გლეიწში გაიგლინოს (როგორც უწყვეტ დგანში). გლინების ამძრავია მუდმივი დენის რევერსიული ელექტრომძრავები. უნივერს. ს-ში პორიზ. გალს აქვს მთლიანსხმული სადგარი, რ-იც ფილაზე ანკერული რგოლებითაა დამაგრებული. პორიზ. გლინების კასრის სიგრძე შეესაბამება სლაბის მაქს. სიგანეს. დასაჭერ მექანიზმებში გამოყენებულია ბრახნული და ჭიანბრახნული გადაცემები. ს-ის ვერტ. გალი შედგება 3 ნაწილისაგან, რ-ებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ანკერული რგოლებით. ყოველ ვერტ. გლინს ამბრუნებს დამოუკიდებელი რედუქტორი და ვერტ. უნივერს. შპინდელი.

საკუთრივ ს-ს შედგენილობაში შედის მუშა გალი, ძრავები, გლინების ამძრავი და შესანაცვლებელი მექანიზმები. ს-ის დამხმარე მოწყობილობებია ზოდსაზიდები, როლგანგები, სლაბების ცეცხლოვანი წმენდის მანქანები, სლაბების საჭრელი მაკრატლები, მაციერები და სხვა მექანიზმები. ს-ის საამქროს ტექნოლ. პროცესი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: ზოდების მიტანა ფოლადსადნობი საამქროდან სახურებელ ჭებთან; ზოდების ვერტ. მდგომარეობაში გახურება (1100—1260°C-მდე) ჭებში; ს-ის მიმღები როლგანგისათვის ზოდების ზოდსაზიდებით მიწოდება; ზოდების აწონა და ს-ის გლინებისათვის მიწოდება; უნივერს. გალში სლაბების გლინვა პორიზ. გლინებით და გაგანიერების მოხსნა ვერტ. გლინებით; ნაკადში ლითონის ზედაპირის ცეცხლოვანი წმენდა; საჭირო სიგრძის სლაბებად დაჭრა, სლაბების დადალვა და მათი გადაცემა როლგანგით შუალედური საწყობისათვის ან ფურცლების ცხლადსაგლინი ფართოზოლიანი დგანისათვის.

ლიტ.: Целиков А. И., Прокатные станы: настоящее и будущее, М., 1974.

სლავგოროდი, ქალაქი რსფსრ ალთაის მხარეში, კულუნდის სტეპის დას. ნაწილში. სლავგოროდის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის საღგური. არის სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის, ლუდის ქ-ნები, რძის საკონსერვო და ხორცკომბინატები, სამკერვალო და ავეჯის ფ-კები. სოფ. მეურნ. და აღრიცხვის მექან. ტექნიკუმები, პედსასწავლებელი.

სლავები, ენათა ნათესაობითა და წარმომავლობით გაერთიანებული ხალხთა ჯგუფი ევროპაში. საერთო რაოდ. დაახლ. 277 მლნ. კაცი (1979).

ს-ის ისტ. უძველესი პერიოდის შესახებ ცნობები მოიპოვება არქეოლ. მასალებში, ენათმეცნ. მონაცემებში, აგრეთვე ძვ. ბერძენი, რომაელი და ბიზანტ. ისტორიკოსების შრომებში (პლინიუს უფროსი, ტაციტუსი, პტოლემე, იორდანისი, პროკოპი კესარიელი და სხვ.). ადრინდ. ისტ. წყაროებში I—II სს-ში ს-ს იხსენიებენ ვენედების სახელით. VI ს-ში უკვე გაჩნდა ტერმ. Sklabenoi, Sclaveni, ხოლო VII ს-ში არაბი ავტორები მათ ს ა კ ა ლ ი ბ ა ს სახელწოდებით იცნობენ.

ს-ის უძველესი საცხოვრისი განფენილი იყო ცენტრ. და აღმ. ევროპაში — დაწყებული მდ. ელბიდან და ოდერიდან ვიდრე ვისლამდე, დნესტრის ზემო დინებასა და დნეპრის შუა წელამდე. ჩრდიდან ს-ებს ესაზღვრებოდნენ გერმ. და ბალტური ტომები, აღმ-იდან — დას. ირან. ტომები (სკვითები და სარმატები), სამხრ-იდან თრაკიელები და ილირიელები, ხოლო დას-იდან — კელტები. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ს-ის პირველსამშობლო მდ. ვისლის აღმ-ით მდებარეობდა. გერმანელებთან და ბალტებთან ერთად ს-ის წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ ძვ. წ. III—II ათასწლ. მიჯნაზე შავიზღვის-პირეთში, კარპატებში, ცენტრ., ჩრდ. და აღმ. ევროპაში მცხოვრები ტომები.

II—IV სს-ში გერმ. ტომთა შემოჭრის შედეგად ს-მა გადაინაცვლეს ჩრდ-ით და ჩრდ. დას-ით, ხოლო V ს-ში, ჰუნების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, სამხრ-ით (დუნაი და ჩრდ.-დას. შავიზღვისპირეთი) და ბიზანტ. იმპერიის ბალკ. პროვინციებში. ამ პერიოდში ბიზანტ. ავტორები უკვე არჩევდნენ ს-ის ორ ძირითად დაჯგუფებას — ანტებსა და სკლავინებს. ორივე ჯგუფი იყოფოდა მრავალ ქვეჯგუფად, ფიქრობენ, რომ ამ დროს უკვე არსებობდნენ ნესტორის მატიანეში — „გარდასულ წელთა ამბავი" — მოხსენიებული ტომები — პოლიანები, სევერიანები, დრევლიანები, კრივიჩები, ულიჩები, ხორვატები, რადიმიჩები, დრეგოვიჩები, ვიატიჩები და სხვ.

I ათასწლ. III მეოთხედში ს-ს შორის თანდათანობით ირღვეოდა პირველყოფილი თემი, ვითარდებოდა მიწათმოქმედება, ხელოსნობა, მესაქონლეობა, ჩაისახა კერძო საკუთრება, ჩამოყალიბდა კლასები. ს-ის ტომების უზარმაზარ ტერიტორიაზე განსახლების შედეგად ცალკეულ დაჯგუფებათა შორის გაღრმავდა ენობრივი და ეთნ. გათიშულობა, რის შედეგადაც აღმოცენდა 3 დაჯგუფება — აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის ს-ის ჯგუფები, შეიქმნა ბულგართა სამეფო, სამოს სახელმწიფო, *დიდი მორავიის სახელმწიფო*, კარანტანია, *კიევის რუსეთი*. იმავე პერიოდში ჩამოყალიბდნენ სლავი ხალხები: *პოლონელები* და *ჩეხები*, *სლოვაკები* (დასავლეთის ს.), *სლოვენები*, *სერბები*, *ხორვატები* და *ბულგარელები* (სამხრეთის ს.). აღმოსავლეთის ს-ში ჩამოყალიბდა ძვ. რუს. ეთნოსი. IX—X სს-ში გავრცელდა ქრისტიანობა, მომდევნო ხანებში სამხრეთის და დასავლეთის ს. გათიშა აქ არმოცენებულმა მადიართა სახელმწიფომ. გერმანელებმა მადიპყრეს ლაბის ს-ის ტერიტორია, ასევე შეამცირეს ს-ის სხვა დაჯგუფებათა ტერიტორიები. სამხრ. ს-ის ტერიტორიაზე XIV ს. II ნახევარში ს-იდან დაიწყო ოსმალთა შემოსევა, რ-თა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდნენ თანამედროვე სამხრეთის სლავური ხალხები. აღმოსავლეთის ს-ს დიდი ზიანი მიაყენა მონღოლთა შემოსევებმა (XIII ს.) ამ ისტ. ფონზე აქ XIV ს-ში ჩამოყალიბდა 3 დიდი ეთნ. ჯგუფი: რუსები, უკრაინელები და მოგვიანებით — ბელორუსები. XVI ს-იდან რუსებმა აითვისეს ვოლგის აუზი, დას. ციმბირი, ყირიმი და კავკ. მთისწინეთის სტეპიანი ზოლი.

მძიმე ეკონ. მდგომარეობამ განაპირობა სლავი ხალხების ძლიერი ემიგრაცია დას. ევროპასა და ამერიკაში.

სლავ. სახელმწიფოების აღორძინებას და დამოუკიდებლობას ხელი შეუწყო ოსმალების მარცხმა რუსეთთან ომებში. I მსოფლიო ომის (1914—18) შედეგად ავსტრ.-უნგრ. იმპერიის დაშლის შემდეგ განმტკიცდა ბულგ. და პოლ. სახელმწიფო, გამოიყო ჩეხოსლოვაკია, შეიქმნა მრავალეროვანი იუგოსლ. სახელმწიფო. რუსეთში გაიმარჯვა ოქტ. რევოლუციამ და აქ რუსებმა, უკრაინელებმა და ბელორუსებმა შექმნეს სოციალ. ერები. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ აღდგა უკრაინელებისა და ბელორუსების ტერიტ. მთლიანობა. ასევე ძვ. ეთნ. განფენის საზღვრებში ჩადგა პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. ჩამოყალიბდა სლავური სოციალ. სახელმწიფოები და ერები: პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, სერბები, ხორვატები, ბულგარელები და სხვ.

ს-ის ხელოვნება ვითარდებოდა მეზობელ ტომებთან ურთიერთობაში. შეიქმნა ამოკაწრული და რელიეფური ორნამენტით დამშვენებული კერამიკა. საუველრო ხელოვნება წარმოდგენილია გრავირებული და ჩამოსხმული ნაგშიანი ჩაინისა


























სტ. სოკოები. **1.** დათვისსოკო; **2.** დუმასოკო; **3.** მჭადასოკო; **4.** წითლიო; **5.** მოქლიო; **6.** მანჭკვალას მატყუარა; **7.** ქამასოკო; **8.** მანჭკვალა; **9.** მერცხალასოკო; **10.** ნიყვი; **11.** ბარისფამუა; **12.** გუდაფშუა; **13.** შხამასოკო; **14.** ხეთამხალი; **15.** ირემასოკო; **16.** წითელი შხამა; **17.** ვარსკვლავასოკო; **18.** ყვითელი საჩეჩელა; **19.** ჩიტიბუდა.



1



2


3



4



5



6



8



7



9



10


11


12


13


14


15

და ბრინჯაოს ფიბულებით, ქალის სამკაულებით. ორნამენტის დამახასიათებელი მოტივები დაკავშირებულია მზის (წრე, ჯვარი,, სვასტიკა), წყლისა და წვიმის (ტალღისებური და ბადური ნაგში), ელვის (კვლაკნილები) კულტთან. ს-ის კოსმოლოგიური წარმოდგენები აისახა მონუმ. ქანდაკებაში. ს-ის პლასტიკის გავრცელებული ტიპია სალოცავის ცენტრში აღმართული ღმერთების სტატიკური, დაუნაწევრებელი ფორმის ქანდაკება. VII ს. საიუველირო ნივთებს ეტყობა ბიზანტ. გავლენა.

სლავინსკი პენჩო პეტკოვ (27. IV. 1866, ტრიავნა, — 28. V. 1912, კომობრუნატე, იტალია), ბულგარელი პოეტი. პ. რ. *სლავეიკოვის* შვილი. იყო სახ. თეატრის. (1908—09) და სახ. ბ-კის დირექტორი (1909—10). მონარქიული რეჟიმის კრიტიკისათვის სამშობლოდან განდევნეს. ს-ის პოეზიაჟური, სასიყვარულო და სამოქალაქო ლირიკა წარმოდგენილია კრებულებში „ეპიკური სიმღერები" (1896—98), „„სიზმარი ბედნიერებაზე" (1906) და სხვ. ავტორია ეროვნ.-განმათ. ბრძოლის ამსახველი პოემის „სისხლიანი სიმღერა" (1896—1913).

სლავინსკი პეტკო რაჩევ (17. XI. 1827, სხვა ცნობებით, 1828, ველიკოტირნოვო, — 1. VII. 1895, სოფია), ბულგარელი პოეტი, განმანათლებელი და საზ. მოღვაწე. იყო ტირნოვოს დამფუძნებელი კრებისს წევრი (1879), სახ. კრების დეპუტატი (მისი თავ-რე — 1880), ლიბერ. პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. ახ. ბულგ. ლიტ-რის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ს-ის პირველი კრებულები „ჭრელი თაიგული", „მგოსანი" და „მეიგავე" (ყველა 1852). მისი ინტიმური ლირიკა და პატრ. პოეზია გამსჭვალულია ეროვნ. კოლორიტით (კრებ. „სიმღერები და ლექსები", 1879 და სხვ.). ს-მა შეადგინა ბულგ. ანდაზებისა და თქმულებების სრული კრებული (1889—97).

სლავისტიკა, სლავისტიკა, სლავების, მათი ენების, ფოლკლორის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, ხელოვნებისა და რელიგიის, სულიერი და მატერ. კულტ. ძეგლების შემსწავლელი მეცნიერება. ს. პირველად შეიქმნა მაშინ, როცა სლავური სახელმწიფოს კონსოლიდაციის შემდეგ გააზრებული და წერილობით ფიქსირებულ იქნა სლავთა ეთნ. ერთიანობა (ნესტორის „გარდასულ წელთა ამბავი", გალ ანონიმის და კოზმა პრაღელის ქრონიკები და სხვ.). სლავებისადმი ინტერესი ჩანს მოგვიანო ხანის ისტ. და მხატვრულ-პუბლიც. ძეგლებში (პუსიტურ ტრაქტატებში, დალიმილის ჩეხურ გარითმულ ქრონიკაში, ი. დლუგოშის „პოლონეთის ისტორიაში", ვ. პრიბოევიჩის ტრაქტატში — „სლავების წარმოშობისა და ბედის შესახებ" და სხვ.). ს., როგორც ფილოლ. დისციპლინა, ჩამოყალიბდა XVIII ს. მიწურულს ჩეხიაში; მისი ფუძემდებელი იყო ი. დობროვსკი, რ-მაც განსაზღვრა სლავური ფილოლ. განვითარების ძირითადი პრობლემები; სლოვაკი ისტორიკოსისა და სლავისტის პ. შაფარიკის ნაშრომში „სლავური სიძველენი" (1837) თავმოყრილია გამოჩენილ მეცნიერთა ცნობები სლავების შესახებ, რაც ძირითადი წყარო გახდა სლავების არქეოლ. და ეთნ., ფილოლ. და ისტ. სლავისტიკური შედარებითი კვლევის დარგში. ს-ის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ვ. კოპიტარმა, ფ. მიკლოშიჩმა (სლოვენია), ი. იაგიჩმა (ხორვატია), ვ. კარაჯიჩმა (სერბია), ა. მიცკევიჩმა (პოლონეთი), ლ. კარაველოვმა (ბულგარეთი) და სხვ. რუსეთში ს-ის ჩასახვას უსწრებდა მ. ლომონოსოვის ნაშრომები, რ-ებშიც საყურადღებო მასალაა მოცემული სლავ. ენების ნათესაობის, რუს. სალიტ. ენის ჩამოყალიბებაში საეკლ. სლავურისა და მსოფლიო კულტურის განვითარებაში სლავების როლის შესახებ. რუსეთში მეცნ. ს-ის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ნ. რუმიანცევისა და ა. შიშკოვის წრემ. პოლონეთში ს-ის ფუძემდებელი იყო მეცნ. და საზ. მოღვაწე ი. პოტოცკი (XVIII ს.), გერმანიაში— ი. ჰერდერი (XVIII ს.). XIX ს. I ნახევარში ს-ის კათედრები შეიქმნა ევრ. სლავ. და არასლავ. ქვეყნების უნ-ტებში. რუსი მეცნიერებიდან სლავ. ენების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ა. ვოსტოკოვს (გამოაქვეყნა „მსჯელობა სლავურ ენაზე", „ძველი სლავური ენის ლექსიკონი", 2 ტ.), ი. სრეზნევსკის, ვ. გრიგოროვიჩს, ვ. შჩეპკინს. ფ. ფორტუნატოვს, ბოდუენ დე კურტენეს, ა. სობოლევსკის, ა. კარსკის, ა. სელიშჩევს და სხვ. XIX ს. II ნახ. და XX ს. დამდეგს გაფართოვდა ს-ის დისციპლინების დიფერენციაცია. ფილოლ. პრობლემატიკის კვლევის პარალელურად მიმდინარეობდა ისტ.-ეკონ., სამართ., ეთნ. და სხვ. კვლევა. რუსეთში ფართო ლინგვისტურ კვლევასთან ერთად (ა. შახმატოვი) ინტერესს იჩენენ სლავთა ეთნოგენეზის პრობლემებისადმი. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩეხი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის ლ. ნიდერლეს მიერ „სლავური სიძველეების" (ტ. 1 — 4, 1902—34) გამოცემა. საბჭ. ს-ში დიდ სამამულო ომამდე დომინირებდა ფილოლ. კვლევა. გარდატეხა დაიწყო ომის წინ სსრკ მეცნ. აკადემიაში, ისტ. ინ-ტსა და მოსკ. უნ-ტში ახ. ცენტრების ჩამოყალიბების შემდეგ. ს-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბ. გრეკოვმა, ი. გოტიემ, ვ. პიჩეტამ, მ. ტიხომიროვმა, ნ. გრაციანსკიმ, ჩეხმა სწავლულმა ზ. ნეედლიმ. ს-ის პრობლემებს დღეს ფართოდ იკვლევენ არა მარტო სლავ. ქვეყნების სამეცნ. ცენტრებში, არამედ არასლავ. ქვეყნებშიც (ავსტრია, გერმანია, რუმინეთი, საფრანგეთი, ინგლისი, აშშ და ა. შ.).

ლიტ.: Историки-слависты СССР. Биобиблиографический словарь-справочник, М., 1981; Очерки истории исторической науки в СССР, т. 1—4, 1955—66; Славяноведение в дореволюционной России. Биобиблиографический словарь, М., 1979; Советское славяноведение. Обзор литературы, М., 1963; Я г и ч В. И., История славянской филологии, СПб., 1910. *ო. ლაბარტყავა.*

სლავია, ალ-სლავია, აღმოსავლეთ სლავთა პოლიტიკური გაერთიანება. ვარაუდობენ რომ ს-ის ცენტრი იყო ნოვგოროდი. ბჭსენიებენ არაბი ავტორები (X ს.).

სლავიანსკი, ქალაქი უკრ. სსრ დონეცკის ოლქში, მდ. კაზიონი-ტორეცის (დონის აუზი) ნაპირზე. სარკინიგზო კვანძი. 142 ათ. მცხ. (1983). სოდის წარმოების დიდი ცენტრი. იღებენ ქვამარილს. საარმატურო-საიზოლატორო, სამშენებლო მანქანების ქ-ნები, კერამ. ნაკეთობათა და მარილის კომბინატები, ფანქრის, ავეჯის ფ-კები და სხვ. პედ. ინ-ტი, უკრ. დაუსწრებელი პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, 4 ტექნიკუმი, სამოქალაქო ავიაციის ავიატექ. სასწავლებელი. სრესი, ს-იდან 7 *კმ* დაშორებით ტალახით სამკურნ. კურორტია. სამკურნ. ფაქტორი: რაპა და შლამის ტალახი (რეპნოეს ტბიდან). სამედ. ჩვენება: საყრდენ-სამოძრაო აპარატის, ნერვული სისტემის, გინეკოლ. და სხვა დაავადებანი. წყალ-ტალახსამკურნალო, 2 სანატორიუმი.

სლავინი (კუცინი) დანიელ გრიგორის ძე [9. XII. 1907, ქ. ბერდიჩევი (კიევის გუბ.), — 1979, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1954). სკკპ წევრი 1943-იდან. 1924 შევიდა ხარკოვის თეატრ. სტუდიაში. 1927-იდან მოღვაწეობდა ხარკოვის, ნიკოლაევის, ვოლოგდის, არხანგელსკისა და სხვ. თეატრებში. 1950-იდან თბილ. გრიბოედოვის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობი. ასრულებდა სხვადასხვა ხასიათის როლებს: ჩუიკო (ი. იანოვსკის „პროკურორის ქალიშვილი"), ფროლ ბაევი (ი. ვირტას „მიწა"), ლოპუხოვი (ს. მიხალკოვის „კიბოები"), რეპეტილოვი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან") და სხვ. წარმატებით ასრულებდა ლენინის როლს (პოგოდინის „კრემლის კურანტები"). გამოდიოდა ესტრადაზე. *შ. ცუცქირიძე.*



დ. სლავინი.

სლავონია (Slavonija), ისტორიული ოლქი იუგოსლავიაში. ზოგიერთ ლათ. წყაროში ს-ს XIII ს-მდე მთელ ხორვატულ ტერიტორიებს უწოდებდნენ. XIII ს-იდან ს. ერქვა მდ-ების სავისა და დრავის მარჯვ. ნაპირებს შორის მდებარე მიწებს. XVII—XVIII სს-ში ს. ეწოდებოდა მდ. დრავის, დუნაისა და სავის მარჯვ. შუამდინარეთს.

სლავონსკი-ბროდი (Slavonski Brod), ქალაქი იუგოსლავიაში, ხორვ. სრ-ში. 44 ათ. მცხ. (1977). ნავმისადგომი მდ. სავაზე. სატრანსპ. მანქანათმშ., ხის დასამუშ., კეების (უმთავრესად საფქვავი და ღვინის) მრეწველობა.

სლავოფილები, XIX ს. 40—50-იანი წწ. რუსული საზოგადოებრივი აზროვნების წარმომადგენლები, რ-ებიც ამუშავებდნენ რუს. ისტ. განვითარების თვითმყოფად გეგმას, უარყოფდნენ ყველაფერს დას. ევროპულს. ტერმ. „ს." პირობითია. იგი წარმოიშვა პოლემიკურ მეტსახელად. მიუხედავად სახელწოდებისა, სლავთა საკითხს ს-ის პროგრამაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ეს იყო მხოლოდ რუს. „ნაციონალური იდეის" თეორ. არგუმენტაცია. ა. ხომიაკოვის სტატიაში „ძველისა და ახლის შესახებ" (1839) და ი. კირეევსკის „პასუხად ა. ხომიაკოვს" პირველად იჩინა თავი ს-ის შეხედულებებმა. 30-იანი წწ. მიწურულში ჩამოყალიბდა ს-ის წრეც, რ-ის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ძმები პ. და ი. კირეევსკები, კ. და ი. აქსაკოვები, ა. ხომიაკოვი, ა. კოშელიოვი, ი. სამარინი, ი. ბელიაევი და სხვ. ს-მა თავიანთ მოძღვრებას საფუძვლად დაუდეს შელინგისა და ჰეგელის ფილოს. შეხედულებანი, რ-ებიც ისტ. პროცესის განსაზღვრისას თითოეულ ერს თავის ეროვნ. იდეას მიაკუთვნებდნენ. თავიანთი აზრის ამოსავალ წერტილად ისინი მიიჩნევდნენ თემს. ხომიაკოვი წერდა, რომ თემი არის რუს. ისტ. ერთი გადარჩენილი სამოქალაქო დაწესებულება. მათი აზრით, თვით მონარქიაც რუსეთში თემური ცხოვრების დაცვისათვის ჩაისახა, რუსი ხალხი ბუნებით არ არის სახელმწიფოებრივი, ამიტომ ხელისუფლება უნდა დარჩეს მეფეს; ხალხს კი უნდა შეუნარჩუნდეს თვალსაზრისის ძალა. თემი, ეს არის ჭეშმარიტი რუს. ცხოვრების უჯრედი, მხოლოდ მას

სტ. *ტკიპები.* ტკიპების ზოგი ჯგუფის წარმომადგენლები. აკარიფორმული ტკიპები (Acariformes): **1.** ბელლის ტკიპა კალოგლიფუსი (Caloglyphus rodionovi); **2.** ბუმბულის ტკიპა (Zachvatkinia sternae); **3.** გალის ტკიპა (Eriophyes oculatus); **4.** წითელტანიანა (Trombidium ferox); **5.** ღიპიანი ტკიპა (Pediculoides ventricosus); **6.** ფერიმჭამელა ტკიპა (Demodex cati); **7.** ჯავშნიანი ტკიპა (Belba globipes); **8.** ლაბიდოკარპუსი (Labidocarpus megaionyx); **9.** მუნის ტკიპა (Acarus siro); **10.** წყლის ტკიპა არენურუსი (Arrenurus globator); **11.** წყლის ტკიპა პიონა (Piona coccinea). პარაზიტიფორმული ტკიპები (Parasitiformes); **12.** გამაზისებრი ტკიპა (Androlaelaps hermaphrodita); **13.** საძოვრის ტკიპა დერმაცენტორი (Dermacentor marginatus); **14.** ამბლიომა (Amblyomma; hebraeum). ტკიპები-მთიბავები (Opilioacarina): **15.** ტკიპა-მთიბავი ოპილიოაკარუსი (Opilioacarus segmentatus).



ი. სლეიტერსი. „სტაპორსტელი გლეხები". 1917. სახალაქო მუზეუმი. ამსტერდამი.



დ. სლეიტონი.



ვ. სლეპცოვი.

შეუძლია დაიცვას რუსი ხალხი საზ. კლასების აღმოცენებისაგან.

XIX ს-ში ს. გამოდიოდნენ ბატონყმობის „ზევიდან" გაუქმების მომხრეებად. კაპიტალიზმის განვითარების პირობებში კი ვაჭრობისა და მრეწვ. განვითარებას უჭერდნენ მხარს. მათი ფილოს. შეხედულებანი იდეალისტური და ხშირად რელიგ.-მისტ. იყო. მათ უნდოდათ მეცნიერება ეკლესიისათვის დაექვემდებარებინათ. ს-მა რწმენა ადამიანის შინაგანი განვითარების საზღვრად გამოაცხადეს; დას. ევრ. ხალხებისაგან განსხვავებით, რუს. ისტ. განვითარების პროცესი მიიჩნიეს, როგორც „შინაგანი განვითარების გზა" და მის საწყისად მართლმადიდებლური ეკლესია აღიარეს. ისინი ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, საბოლოოდ მათი იდეოლოგია კლასობრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით ბურჟ.-მემამულურად, ხოლო პოლიტ. თვალსაზრისით ზომიერ-ლიბერალურად წარმოგვიდგება.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ეროვნების მდევნელნი და ლიბერალიზმის პანიბალები, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 5; მისივე, კიდევ რეალიზმის თეორიის საკითხისათვის, იქვე, ტ. 4; მისივე, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, იქვე, ტ. 1. *გ. პაიჭაძე.*

სლავოფილობა, XIX ს. რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი მიმართულება. იხ. *სლავოფილები.*

სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია, პირველი უმაღლესი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოსკოვში. დაარსდა სიმეონ პოლოცკის ინიციატივით 1687 ელინურ-ბერძნული აკადემიის სახელწოდებით. აკადემია მიზნად ისახავდა სახელმწიფოსა და ღვთისმსახურებისათვის განათლებული კადრების მომზადებას, ეევალებოდა სას. შინაარსის წიგნების ცენზურა, ერეტიზმისა და ღვთის გმობის წინააღმდეგ ბრძოლა. მოსწავლეთა სოც. და ეროვნ. შემადგენლობა სხვადასხვანაირი იყო, იღებდნენ ყველა წოდების ახალგაზრდებს, სხვადასხვა დროს აქ სწავლობდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, ბერძნები და სხვ., მ. შ. გ. ბაჟენოვი, 1731—35 — მ. ლომონოსოვი და სხვ. მოსკ. უნ-ტის დაარსების შემდეგ (1755) აკადემიის მნიშვნელობა დაქვეითდა, იგი ღვთისმეტყველების უმაღლეს სკოლად ეცადა კეთდა. 1775 მას ეწოდა ს.-პ.-ლ. ა., ხოლო 1814 — მოსკ. სას. აკადემია და მისმა ადგილსამყოფელმა ქ. ზაგორსკში (მოსკოვთან ახლოს) გადაინაცვლა.

სლავური ანბანი, ერთიანი სლავური ანბანი არ არსებობს. დას. სლავებს (პოლონელებს, ჩეხებს, სლოვაკებს, ლუჟიცელებს) და ზოგიერთ სამხრ. სლავებს (ხორვატებს, სლოვენებს) ლათ. ანბანი აქვთ, აღმ. და სამხრ. დანარჩენ სლავებს (ბულგარელებს, სერბებს, მაკედონელებს, რუსებს...) კი ის ანბანი, რ-საც საფუძვლად კირილიცა დაედო. 1709 კირილიცა გადაკეთდა ე. წ. სამოქალაქო ანბანად, ამ ანბანს ხანგრძლივი ისტორია აქვს: ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საჭირო შეიქნა ანბანის შემოღება სლავ. ენის ფიქსაციისათვის. 863 ძმებმა კირილემ და მეთოდემ შეადგინეს სლავ. ენის ანბანი — გლაგოლიცა. 863—866 წლებში მათ ბერძნულიდან თარგმნეს სახარება (ოთხთავი), სამოციქულო წიგნი, დავითნი და სხვ. კირილესა (869) და მეთოდეს (885) სიკვდილის შემდეგ სლავ. დამწერლობის ცენტრმა აღმ-ში — ბულგარეთში გადაინაცვლა. ბულგ. ენაზე ითარგმნა დიდძალი რელიგ. და საერო ხასიათის ლიტ. ნაწარმოებები, საფუძველი ჩაეყარა ეროვნ. ორიგინ. ლიტ-რას. ღვთისმსახურება მხოლოდ სლავ. ენაზე ტარდებოდა. ამ პერიოდში ბულგარეთში შეიქმნა გლაგოლიცაზე უფრო ზუსტი და სრულყოფილი ანბანი — კირილიცა. ვარაუდობენ, რი ე კირილიცას ავტორია კირილესა და მეთოდეს მოწაფე კლიმენტი. კირილიცას საფუძველად დაედო ბერძნ. უნციალური ანბანი (24 ასო), ხოლო დანარჩენი ასოები (Б, S, Ж, Ш, Щ, Ч, Ѱ, Ы, Ъ, Ь, Ѣ, Ю, Ѧ, Ѫ, Ѩ, Ѭ) გადმოიტანეს სხვა ენების ანბანიდან (ებრაულიდან და სხვ.) ან შეადგინეს ასოების კომბინაციით.

ბულგარეთიდან ქრისტიანობა სერბიასა და რუსეთში გავრცელდა. სლავ. ენა ამ ქვეყნებში იყო როგორც საეკლ., ისე ოფიციალური (სასკოლო, საადმინისტრაციო, კულტ.) ენა. სლავ. ენამ განიცადა ადგილ. ენების გავლენა, რის შედეგადაც წარმოიშვა ძვ. სლავური ენის ვარიანტები — რუს., სერბ., ბულგ. და ა. შ. ს. ა-ზე შესრულებული უძველესი ძეგლები განეკუთვნება X ს. — დობრუჯის წარწერა (943), ზოგრაფის მინაწერი (980), ბულგ. მეფის სამუილის წარწერა (993).

ო. ლაბარტყავა.

სლავური ენები, ევროპისა და აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები სლავი ხალხების ენები. განეკუთვნება ინდოევრ. ენათა ოჯახს. ს. ე-ზე მეტყველებს 267 მლნ-ზე მეტი კაცი. იყოფა 3 ჯგუფად: აღმოსავლეთსლავური (რუს., უკრ., ბელორუს.), სამხრეთსლავური (ბულგ., მაკედ., სერბ.-ხორვ., სლოვ.), დასავლეთსლავური (ჩეხ., სლოვაკური, პოლ. კაშუბური დიალექტით ურთ., ზემო და ქვემო ლუჟიცური). ს. ე. ინდოევრ. ენებიდან ყველაზე ახლოსაა ბალტიკურ ენებთან (ძვ. პრუსიულთან, ლიტვურთან, ლატვიურთან). ს. ე-ის ერთმანეთთან სიახლოვე განისაზღვრება ლექსიკით, ძირებისა და მორფემათა მსგავსებით, რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემით, სინტაქსითა და სემანტიკით.

ს. ე. გამოიყო წ ი ნ ა რ ე ს ლ ა ვ ურ ი დ ა ნ ინდოევრ. ენათა ოჯახის დაშლის შედეგად (წინარე სლავური ენა არსებობდა ძვ. წ. III ათასწლეულიდან ახ. წ. VI—VII სს-მდე). წინარესლავ. ენათვის დამახასიათებელი იყო ორი ძირითადი პროცესი: თანხმოვანთა პალატალიზაცია j-ს წინ და დახურულ მარცვალთა ტრანსფორმაცია; ხასიათდებოდა აგრეთვე მოკლე და გრძელი ხმოვნების სისტემით. მოგვიანებით წარმოიშვა რედუცირებული ხმოვნები; მორფოლოგია საგრძნობლად განსხვავდებოდა ინდოევრ. ენების მორფოლოგიისაგან. სახელი იბრუნოდა; ბრუნების ტიპი განისაზღვრებოდა არა სქესის კატეგორიით, არამედ სახელის ბგერითი შემადგენლობით (თემით): -ā, -o, -ĭ, -ŭ, -ŭ ხმოვნებით, -s, -n, -t, -r თანხმოვნებითა და ნულოვანი ფლექსიით დაბოლოებული ფუძეებით. მოგვიანებით სახელის ბრუნების ტიპი განისაზღვრებოდა სქესის კატეგორიით (მამრობითი, მდედრობითი, საშ.). რიცხვითი სახელები ცალკე არ გამოიყოფოდა. ზმნას ჰქონდა ორი ფუძე: ნამყო დროისა და მყოფადის. XI — XII სს-ში დამოუკიდებელ ს. ე-ში რედუცირებული ხმოვნები Ъ და Ь სუსტ პოზიციაში იკარგებოდა: ამის შედეგად სიტყვის სტრუქტურა იცვლებოდა, რაც კარდინალურად ცვლიდა ფონეტიკას, ფონოლოგიას, სიტყვაწარმოებასა და მორფოლოგიას. დას. ს. ე-ში მახვილი ფიქსირებულია. შეიცვალა ბრუნებათა რაოდენობა. ს. ე-ის უმრავლესობამ დაკარგა მარტივი ნამყო-აორისტი და იმპერფექტი, ზოგიერთმა — რთული ნამყოც (მაგ., აღმ. ს. ე-მა). თანამედროვე სალიტ. ს. ე. თავისი ერთიანი სამეტყველო და ორთოგრაფიული ნორმებით ჩამოყალიბდა XIX—XX სს-ში.

ლიტ.: Ильинский Г. А., Праславянская грамматика, Нежин, 1916; Селищев А. М., Славянское языкознание, т. 1 — Западнославянские языки, М., 1941. *ო. ლაბარტყავა.*

სლავუტა, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ ხმელნიცკის ოლქში, მდ. გორინის (დნეპრის აუზი) ნაპირზე. სლავუტის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. სლავუტის მახლობლად. რკინაბეტონის კონსტრუქციების, მინის, სამშენებლო ქაშანურის ქ-ნები, ხის დასამუშ. კომბინატი. კვების და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები.

სლანცი, ქალაქი რსფსრ ლენინგრ. ოლქში, მდ. სლანცის ნაპირზე. სლანცის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ლენინგრად — გდოვის ხაზზე. ფიქლების მოპოვება და გადამუშავება. ცემენტის, აგურის, სარეგენერაციო და სხვა ქ-ნები, სამშენებლო დეტალების და ხე-ტყის კომბინატები. ინდუსტრ. ტექნიკუმი, ლენინგრ. სამთო ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი.

სლაუ (Slough), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, დიდი ლონდონის სამრეწვ. ზოლში, ლონდონ—ბრისტოლის რკინიგზაზე. 97 ათ. მცხ. (1981). მანქანათსაშ., ელექტროტექ., ელექტრონული, საავტ. და ქიმ. მრეწველობა.

სლეისის ბრძოლა 1340, საზღვაო ბრძოლა ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებს შორის უძველესი ნავსადგურის სლეისის (ქ. ჩრდ. საფრანგეთში) მახლობლად ასწლიანი ომის (1337—1453) დროს. 24 ივნ. ინგლისელებმა (250 ხომალდი) შეუტიეს ყურეში მდგარ საფრ. ფლოტს (190 ხომალდი) და დაამარცხეს, ჩაძარეს და ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის თითქმის ყველა ხომალდი.

სლეიტერსი (Sluyters) იან (იოანეს) (17. XII. 1881, ჰერტოგენბოსი, — 8. V. 1957, ამსტერდამი), ჰოლანდიელი ფერმწერი. 1896-იდან სწავლობდა ამსტერდამის სამხატვრო აკადემიაში. 1904—05 იმყოფებოდა პარიზში. განიცადა *ნეოიმპრესიონიზმისა* და *ვან გოგის,* შემდეგ — პ. *გოგენისა* და ა. *მატისის* გავლენა. ხატავდა პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ნიუს. ს-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნათელი კოლორიტი, ფორმათა დინამიკა, წერის ფართო და ენერგიული მანერა („მთვარიანი ღამე ლარენში", 1911; „ნატურმორტი და მენატურე ქალი", 1933, ორივე — მუნიციპალიტეტის მუზეუმი, ჰააგა).

სლეიტონი (Slayton) დონალდ (დ. 1. III. 1924, სპარტა, უისკონსინის შტ.), ამერიკელი კოსმონავტი, სამხ.-საჰაერო ძალების გადამდგარი მაიორი. II მსოფლიო ომის დროს შეასრულა 56 საბრძოლო ფრენა. 1949 დაამთავრა მინეაპოლის უნ-ტი, 1956 კი — გამომცდელ მფრინავთა სკოლა. მუშაობდა ავიაციაში. 1959-იდან აერონავტიკისა და კოსმ. სიცრცის კვლევის ეროვნ. სამმართველოს კოსმონავტთა რაზმშია. ემზადებოდა „ჯერკურის" პროგრამით ფრენისათვის, რაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. 1973—74 ხელმძღვანელობდა კოსმ. ხომალდთა ეკიპაჟების მომზადებას ჰიუსტონის კოსმ. ცენტრში. 1972, სამედ. შემოწმების შემდეგ, კვლავ აღადგინეს ასტრონავტად. 1975 წ. 15—25 ივლ. ტ. *სტეფორდთა* და ვ. ბრენდთან ერთად მონაწილეობდა აშშ—სსრკ ერთობლივ კოსმ. ექსპერიმენტში. ხომალდი „აპოლონი", რ-შიც კოსმონავტები იყვნენ, ორჯერ შეუპირაპირდა საბჭ. კოსმ. ხომალდს „სოიუზ-19" (ეკიპაჟი ა. *ლეონოვი* და ვ. *კუბასოვი*); ჩატარდა სამეცნ.-ტექ. ექსპერიმენტებიც.

სლეპცოვი ვასილი ალექსის ძე [19 (31). VII. 1836, ვორონეჟი, — 28 III (4. IV). 1878, სერდობსკი, ახლანდ პენზის ოლქი], რუსი მწერალი. ნარკვევთა ციკლში „ვლადიმირკა და კლიუზმა" (1861) დამაჯერებლად ასახა „აზნაურთა ბუდეების" ნგრევა, კაპიტალიზმის დამკვიდრება რუსეთში. ს-ს ეკუთვნის ა რეთვე ნარკვევები („წერილები ოსტაშოვის შესახებ", 1862—63), მოთხრობები („მძიმე დრო", 1865; „ღამის სათევი", „ღორები"), პიესები („რკინიგზაზე", „ქურის ცენები"), პუბლიც. წერილები და სხვ. 1873—74 თბილისში ცხოვრობდა, გაეცნო ნ. ნიკოლაძეს, ს. მესხს და სხვ. მოღვაწეებს.

დაწერა „ნაშრომი კავკასიის შესახებ". გაზ. „ჰავკაზში" (1874, № 1), გამოაქვეყნა „სცენები მომრიგებელ სასამართლოში".

ლიტ.: Летопись дружбы грузинского и русского народов с древнейших времен до наших дней, [сост. В. С. Шадури], т. 1, Тб., 1967. *ვ. შადური.*

სლეზა, ისტორიული სოფელი სამხრ. საქართველოში, ახლანდ. სოფ. აწყურის (ახალციხის რ-ნი) სამხრ-ით, სოფ. აგარის (ახალციხის რ-ნი) გასწვრივ, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. მესხეთის ქედის სამხრ.-აღმ. პერიფერიაზე მდებარეობს შუა საუკ. სლესის ციხე. სოფ. ს. მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" (XVI ს.).

წყარო: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგნ. 3, თბ., 1958.

სლივენი, ქალაქი აღმ. ბულგარეთში, სტარა-პლანინის ძირში. სლივენის ოკრუგის ადმ. ცენტრი. 101 ათ. მკხ. (1982). ქვეყნის საფეიქრო (უმთავრესად შალეულის) მრეწვ. ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. მანქანათაშ., ელექტრონათურების, მინის, ხის დასამუშ., კვების მრეწვ. საწარმოები. ს-ის მიდამოებში ვენახები და ატმის ბაღებია.

სლივენის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული აღმ. ბულგარეთში. ფართ. 3,7 ათ. კმ². მოსახლ. 256 ათ. კაცი (1978). ადმ. ც. — ქ. სლივენი. ოკრუგის ჩრდ. ნაწილი უჭირავს სტარა-პლანინისა და სრედნა-გორის მთებს, სამხრ. ნაწილი უმთავრესად ვაკეა. მეურნეობა ინდუსტრ.-აგრ. ხასიათისაა. განვითარებულია საფეიქრო, მანქანათაშ., კვების მრეწვ., მინისა და ელექტრონათურების წარმოება. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია ქ-ები სლივენი და ნოვა-ზაგორა. ბულგ. ხალიჩების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია ქ. კოტელი.

მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, მზესუმზირა, ბამბა, თამბაქო. განვითარებულია მებაღეობა, მევენახეობა. მეცხოველეობა. ს. ო-ს კვეთს ელექტრიფიცირებული რკინიგზა სოფია—სლივენ—ბურგასი, რ-იც დედაქალაქის რ-ნს აკავშირებს შავ ზღვასთან. იყენებენ სამკურნ. მინერ. წყაროებს.

სლიუდიანკა, ქალაქი რსფსრ ირკუტსკის ოლქში, ბაიკალის ტბის სამხრ. ნაპირზე. სლიუდიანკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ტრანსციმბირის მაგისტრალზე. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები, თევზსაკონსერვო ქ-ნა. იღებენ მარმარილოს ცემენტის ნედლეულისა და საშენ მასალათა წარმოებისათვის.

სლიუნკოვი ნიკოლოზ ნიკიტას ძე (დ. 26. IV. 1929, სოფ. გოროდეცი, როგაჩოვის რ-ნი, გომელის ოლქი, ადრინდ. ბობრუისკის ოკრუგი), საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1974). ბელორ. სსრ მრეწვ. დამს. მუშაკი (1972). სკკპ წევრი 1954-იდან. დაამთავრა ბელორ. სოფ. მეურნ. მექანიზაციის ინ-ტი (1962). 1940-იდან მინსკის სატრაქტორო ქ-ნაში იყო ოსტატის თანაშემწედ, ოსტატად, საამქროს უფროსად. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავ-რედ. 1960—65 მინსკის სათადარიგო ნაწილების ქ-ნის დირექტორი, შემდეგ მინსკის სატრაქტორო ქ-ხის დირექტორი, მინსკის საწარმოო ტრაქტორსამშენებლო გაერთიანების გენერალური დირექტორი, 1962 ს. აირჩიეს ბელორ. კპ მინსკის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1974—83 მუშაობდა სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავ-რის მოადგილედ. 1983 იანვრიდან ბელორ. კპ ცკ-ის პირველი მდივანია.

ბელორ. კპ XXVI და XXVII ყრილობებზე (1960—76) ს. აირჩიეს ბელორ. კპ ცკ-ის წევრად. 1983 იანვრიდან ბელორ. კპ ცკ-ის წევრი და ბიუროს წევრია. სსრკ VII, X და XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სსრკ სახელმწ. პრემია (1971). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

სლიუსარენკო ზახარ კარპის ძე [დ. 3 (16). IX. 1907, ქ. ზმიიოვი, ხარკოვის ოლქი], ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (23. IX. 1944 და 31. V. 1945), სატანკო ჯარების გენ.-ლ. (1963). სკკპ წევრი 1929-იდან. დაამთავრა ორიოლის ჯავშანსატანკო სკოლა (1934), კ. ვოროშილოვის სახ. უმაღლეს სამხ. აკადემიასთან არსებული უმაღლესი აკად. კურსები (1957). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს 1941—42 სატანკო ბატალიონის მეთაური სამხრ.-დას. და ბრიანსკის ფრონტებზე, 1942—44 — სატანკო ბრიგადისა და ცალკე სატანკო პოლკის მეთაური სტალინგრადისა და ლენინგრ. ფრონტებზე. 1944 თებ-იდან უკრ. I ფრონტის 5ბ-ე გვარდიის სატანკო ბრიგადის მეთაური. ომის შემდეგ ჯარებში სამეთაურო თანამდებობებზე იყო. 1965-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით, აგრეთვე 2 უცხ. ორდენით.

სლოგოდსკოი, ქალაქი რსფსრ კიროვის ოლქში, მდ. ვიატკის მარჯვ. ნაპირზე. სლობოდსკოის რ-ნის ცენტრი. ნავმისადგომი. რკინიგზის სადგური, კიროვიდან 35 კმ. ტყავისა და ბეწვეულის მრეწვ. ძვ. ცენტრი. სსრკ-ში ერთ-ერთი უდიდესი ბეწვეულის ფ-კა „ბელკა", ფირფიცრის კომბინატი, ავეჯის ფ-კა. პედსასწავლებელი. მზარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სლოვაკები, ერი, რ-იც ჩეხებთან ერთად ჩეხოსლოვაკიის ძირითად მოსახლეობას შეადგენს. რაოდ. ჩეხოსლ. ს-რ-ში 5,2 მლნ. კაცი (1978, შეფასება), ცხოვრობენ აგრეთვე უნგრეთში, იუგოსლავიაში, რუმინეთში, კანადაში, აშშ-ში და სხვ. ქვეყნებში. ლაპარაკობენ სლოვაკურ ენაზე. მორწმუნე ს. უმთავრესად კათოლიკეები არიან (75%), ნაწილი პროტესტანტია. არქეოლ. მონაცემებით, ს. თანამედროვე სლოვაკიის ტერიტორიაზე IV—V სს-ში გაჩნდნენ და წარმოშობით ჩეხებს ენათესავებიან. IX ს. — X ს. დასაწყისში ჩეხი და სლოვაკი ტომები *დიდი მორავიის სახელმწიფოს* შემადგენლობაში შედიოდნენ. უნგრელთა შეჭრის შედეგად სლოვაკი ტომების ტერიტ. უნგრ. სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა და ს. მრავალი საუკუნის მანძილზე (XI—XX სს.) ჩამოშორდნენ ჩეხებს. მიუხედავად იმისა, რომ უნგრ. შემადგენლობაში ყოფნისას ს. ხანგრძლივად განიცდიდნენ მადიარიზაციას, ფართო მასები მაინც ინარჩუნებდნენ თვითმყოფ კულტურას. I მსოფლიო ომის შემდეგ 1918 შექმნილ ჩეხოსლ. ბურჟ. რესპუბლიკაში ს. არათანასწორუფლებიანი ერის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. II მსოფლიო ომის (1939—45) დამთავრებისა და ჩეხოსლოვაკიაში სახ. დემოკრ. წყობილების დამყარების შემდეგ ს-მა და ჩეხებმა სოციალ. საზ. ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობა მიიღეს, რის შედეგადაც ს-მა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონ. და კულტ. სფეროში. 1968 ოქტ-ში ჩეხოსლ. ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიქმნა 2 თანასწორუფლებიანი რესპუბლიკა — ჩეხიის სოციალ. რესპუბლიკა და სლოვაკიის სოციალ. რესპუბლიკა. ს-ის ეკონ., ისტ. და კულტურის შესახებ იხ. სტატიები — *სლოვაკია, ჩეხოსლოვაკია.*

სლოვაკია (Slovensko), სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა (Slovenská socialistiká republika), რესპუბლიკა ჩეხოსლოვაკიის (ჩსსრ) შემადგენლობაში, ქვეყნის აღმ. ნაწილში. ფართ. 49 ათ. კმ². მოსახლ. 5,1 მლნ. კაცი (1984), ჩსსრ-ის მოსახლ. დაახლ. 1/3. დედაქალაქი — ბრატისლავა. სხვა დიდი ქ-ებია: კოშიცე, პრეშოვი, ჟილინა, ბანსკა-ბისტრიცა. ადმინისტრაციულად ს. იყოფა 3 ოლქად.

ბუნება. ს. უმთავრესად მთიანი ქვეყანაა, რ-ის დიდი ნაწილი უჭირავს *დასავლეთ კარპატებს* (სიმაღლე 2655 მ. მდე, მთა გერლახოვსკი-შტიტი; ტატრები). ს-ის სამხრ.-დას. და სამხრ.-აღმ. ნაწილში დაბლობებია. სასარგებლო წიაღისეული (რკინის, მანგანუმის, პოლიმეტალების მადანი, სტიბიუმი, მაგნეზიტი) მოიპოვება უმთავრესად სლოვაკიის მადნიან მთებში. ჰავა ზომიერია, კონტინენტური. ბარში იანვ. საშ. ტემპ-რაა —1, —3°C, ივლ. 19—21°C. ნალექები 500—700 მმ წელიწადში (მთაში 1000 მმ-მდე). მდ-ები განეკუთვნება უმთავრესად დუნაის (მიედინება ს-ის სამხრ.-დას. კიდეზე) აუზს, მთავარი მდ-ებია ვაგი, ნიტრა, ჰრონი, ონდავა. ს-ის ტერიტ. 1/3-ზე მეტი შემოსილია ტყით.

ისტორიული ნარკვევი. ს-ის ტერიტორიაზე ადამიანი ჯერ კიდევ შუა პალეოლითის დროს ცხოვრობდა. ძვ. წ. V ს-ში დასახლდნენ თრაკიული ტომები, III ს-ში კელტები. ახ. წ. I ს-ში ტერიტ. ნაწილი რომაელებმა დაიპყრეს. ახ. წ. I ათასწლ. შუა ხანებიდან ს-ის მთავარი ეთნ. ელემენტი სლავები იყვნენ. XI ს-ში ს. უნგრ. სამეფოს ნაწილია. 1241—42 ს-ის ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი მონღოლებმა დალაშქრეს. XIII—XIV სს-ში გერმანელთა კოლონიზაციის ობიექტი გახდა. *დოჭა დიერდის აჯანყების* (1514) შემდეგ მოხდა ს-ის გლეხობის დაყმევება. XVI ს-ში გავრცელდა *რეფორმაცია*. იმავე საუკუნის შუა წლებში სამხრ. ს. ოსმ. იმპერიამ დაიპყრო, დანარჩენი ტერიტ. ჰაბსბურგთა მონარქიის შემადგენლობაში შევიდა. XVIII ს. დასაწყისში ს-ში იფეთქა ანტიჰაბსბურგულმა მოძრაობამ. კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად (XVIII ს. დასასრ. — XIX ს. დასაწყ.) წარმოიშვა ეროვნ. მოძრაობა, რ-იც უმთავრესად სლოვაკური ენისა და კულტურის განვითარების მოთხოვნებს აყენებდა. ეროვნ. მოძრაობა გააქტიურდა XIX ს. 60-იან წლებში. 1861 ტურჩანსკი-სვეტი-მარტინში ყრილობაზე შეადგინეს ეროვნ. პროგრამა — „სლოვაკი ხალხის მემორანდუმი", რ-იც ს-ის ავტონომიას მოითხოვდა. 1905 ივნ-ში ბრატისლავაში შეიქმნა ს-ის ს.-დ. პარტია (1906 უნგრ. ს.-დ. პარტიასთან გაერთიანდა). I მსოფლიო ომის (1914—18) წლებში ს-ში გაძლიერდა ბრძოლა ეროვნ. და სოც. განთავისუფლებისათვის. 1918 ე. წ. მარტინის დეკლარაციით ს. შევიდა ჩეხოსლ. ერთიან სახელმწიფოში, სადაც გაბატონებული ადგილი ჩეხიის ბურჟუაზიამ დაიკავა. 1919 წ. 16 ივნ. პრეშოვში გამოცხადდა ს-ის საბჭ. რესპუბლიკა (გაანადგურეს 7 ივლ. ინტერვენტთა ჯარებმა). 1921 მაისში შეიქმნა ჩეხოსლ. კომპარტია (ჩკპ). ჩეხოსლ. ბურჟ. სახელმწიფოში ს. ეკონ. ჩამორჩენილი ოლქი იყო. მიუნხენის შეთანხმების (1938) შემდეგ სლოვაკმა ფაშისტებმა მიაღწიეს ს-ის ავტონომიას; მთავრობას სათავეში ჩაუდგა ი. ტისო. 1938 აიკრძალა ჩკპ. 1939 წ. 14 მარტს ნაცისტურმა გერმანიამ ს. გერმ. „დაცვის" ქვეშ მყოფ „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ" გამოაცხადა. ს. გერმ. სატელიტი გახდა; 1941 შეუერთდა ანტიკომინტერნულ პაქტს, დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი. 1941-იდან ს-ში გაძლიერდა ანტიფაშისტური მოძრაობა. 1942 შეიქმნა პარტიზანული რაზმები, 1943 — ს-ის ეროვნ. იატაკქვეშა საბჭო (სეს). 1944 წ. 29 აგვ. დაიწყო *სლოვაკიის ეროვნული აჯანყება* (იხ. აგრეთვე *აღმოსავლეთ კარპატების ოპერაცია*). 1945 იანვ. საბჭ. არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ს-ის მთელი რიგი ქალაქები. „კოშიცეს პროგრამით" (1945 წ. 5 აპრ.) გამოცხადდა ჩეხი და სლოვაკი ხალხების თანასწორუფლებიანობა. 1948 თებ. ს-ის მშრომელებმა მთელი ქვეყნის მშრომელებთან ერთად დაამარცხეს ბურჟუაზია, რ-იც ცდილობდა კონტრრევ. გადატრიალების მოწყობას. სლოვაკი და



ნ. სლიუნკოვი.



ზ. სლიუსარენკო.

სლოვაკია



ხის სამრეკლო. XVIII ს. პრონსეკი.



კ ა ვ ლ ე ლ ე ვ ო ჩ ე ლ ი. „მუხლმოდრეკილი მწყემსი". „შობის" ჯგუფის ფრაგმენტი. ხე. 1508—15. წმ. იაკუბის ტაძრის საკურთხეველი. ლევოჩა.



სლოვაკია. ტ. ბარტ-ფა ი. „ოცნება". ბრინჯაო. 1964. სლოვაკიის ეროვნული გალერეა. ბრატისლავა.

ჩეხი ხალხი შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას. ეროვნ. კრების მიერ მიღებული კონსტიტუციით (ძალაში შევიდა 1969 წ. 1 იანვ.) ჩეხოსლ. სრ-ის ფედერ. სახელმწიფოში ს. შევიდა როგორც სრულუფლებიანი სოციალ. რესპუბლიკა.

მეურნეობა. ს. განვითარებული ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკაა. მის წილად მოდის ჩეხოსლ. სამრეწვ. წარმოების დაახლ. 28% (1937 წ. — 7%), სას.-სამ. წარმოების 34% (1937 წ. — 23%). სახ. ხელისუფლების წლებში განსაკუთრებით განვითარდა მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, შავი და ფერადი მეტალურგია, აგრეთვე ქიმ. მრეწველობა.

ელექტროენერგიის დიდ ნაწილს იძლევა მდ. ვაგსა და სხვა მდ-ებზე აგებული ჰესები, დიდი თესები, აესი. იღებენ მურა ნახშირს, ლიგნიტს, რკინის მადანს, აწარმოებენ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს (ქ. კოშიცე), ალუმინს, სპილენძს. ს. იძლევა ჩეხოსლ. მანქანათსაშ. მრეწვ. პროდუქციის დაახლ. 1/4-ს. ამზადებენ რადიომიმღებებს, ტელევიზორებს, მაცივრებს, მოტოციკლებს, გემებს, ვაგონებს, ჩარხებსა და სხვ. ქიმ. მრეწვ. ემყარება ნავთობისა და აირის გადამუშავებას. ბრატისლავის ნავთობქიმ. კომბინატი „სლოვნაფტი" ამუშავებს სსრკ-იდან ნავთობსადენ „დრუჟბით" მიწოდებულ ნავთობს, ქ. შალიის აზოტიანი სასუქების ქ-ნა კი — სსრკ-იდან აირსადენ „ბრატსტვოთი" მიწოდებულ ბუნებრივ აირს. განვითარებულია აგრეთვე ხე-ტყისა და ხის დასამუშ., საშენ მასალათა, კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა.

სოფ. მეურნ. პროდუქციის ღირებულების დაახლ. 52%-ს იძლევა მეცხოველეობა, 48%-ს მემცენარეობა (1937 წ. — 41% და 59%). მოჰყავთ მარცვლეული (ხორბალი, ჭერი, სიმინდი) და ტექ. (ზეთოვნები, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვ.) კულტურები. განვითარებულია მებაღეობა და მევენახეობა. სამხრ. რ-ნებში აშენებენ უმთავრესად ღორს, სარძეო საქონელს, ფრინველს, მთიან რ-ნებში — ცხვარსა და სახორცე საქონელს.

სოციალ. მშენებლობის წლებში ძირფესვიანად იქნა რეკონსტრუირებული ტრანსპორტი. ელექტრიფიცირებულია რკინიგზის მაგისტრალი ჩიერნა—ჟილინა—ოსტრავა. სანაოსნოა მდ. დუნაი, ნავსადგურებია — ბრატისლავა და კომარნო.

კულტურული მშენებლობა. 1983 ს-ში იყო: საბავშვო ბაღები (140 ათ-მდე აღსაზრდელი), 9-წლიანი სავალდებულო ძირითადი სკოლა (720 ათ-მდე მოსწ.), 4-წლიანი სრული საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა (გიმნაზია, 55 ათ-მდე მოსწ.). 1—3-წლიანი პროფსასწავლებლები (120 ათ-ზე მეტი მოსწ.), 4-წლიანი საშ. პროფსკოლები (105 ათ-მდე მოსწ.). 13 უმაღლესი სასწავლებელი (57 ათ-მდე სტუდენტი). ს-ის მეცნ. აკადემია, სამეცნ.-კვლ. ინ-ტები; ბრატისლავის უნ-ტის ბ-კა (1919) და სხვ.; ეროვნ. მუზეუმებია ბრატისლავასა (1924) და მარტინში (1893), ეროვნ. გალერეა ბრატისლავაში და სხვ.

1983 ს-ში გამოდიოდა 11 ყოველდღიური გაზეთი, 30-მდე სხვადასხვა პერიოდული გაზეთი, ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა. გაზეთებია: „პრავდა" (1920-იდან, ტირაჟი 270 ათ.), „პრაცა" (1946-იდან, ტირაჟი 189 ათ.), „სმენა" (1948-იდან, ტირაჟი 128 ათ.). ს-ის რადიო და ტელევიზია ჩეხოსლ. რადიოსა და ტელევიზიის ეროვნ. ორგანიზაციაა. ტელეცენტრია ბრატისლავაში.

ლიტერატურა. დამწერლობის შემოღება დაკავშირებულია კირილესა და მეთოდეს მოღვაწეობასთან (IX ს. II ნახ.). ჰუსიტურმა მოძრაობამ (XV ს. I ნახ.) და რეფორმაციამ (XVI ს. I ნახ.) ხელი შეუწყო მანამდე გაბატონებული ლათინურის განდევნას და ჩეხ. ენის გაბატონებას. განვითარდა ჰეროიკულ-ეპიკური („სიმღერა სიგეტის ციხეზე", 1566, და სხვ.), რელიგ.-დიდაქტ. (ჯ. ბენიცკი, 1603—1664; შ. პილარიკი, 1615—1693) ჟანრები და სხვ. ანტიფეოდ. განწყობილებებითაა გამსჭვალული ხალხ. შემოქმედება.

XVIII ს. 80-იან წლებში შეინიშნება დას. სლოვაკური დიალექტის ლიტ. ენად ჩამოყალიბების ცდა (ი. ი. ბაიზა, 1755—1836). ფილოლოგმა ა. ბერნოლაკმა 1787 შეიმუშავა სლოვაკური ლიტ. ენის ნორმატიები ე. წ. ბერნოლაჩინა, რ-ზეც შეიქმნა განმან. ჩამეც.-დიდაქტ. პროზა (ი. ფანდლი, 1750—1811). ვითარდებოდა ლიტ-რა ჩეხ. ენაზეც (ი. პალკოვიჩი, 1769—1850, და სხვ.). განმან. პოეზიის მწვერვალია ბ. ტაბლიციის (1769—1832) და პ. ი. შაფარიკის (1795—1861) შემოქმედება. XIX ს. 20—30-იან წლებში მომძლავრდა სლავთა ერთიანობის იდეა (ი. კოლარი, 1793—1852). პატრ. პრობლემებზეა შექმნილი პირველი სლოვაკი დრამატურგის ი. ხალუპკას (1791—1871) კომედიები.

XIX ს. 40—70-იანი წწ. ლიტ-რაში გაბატონდა ე. წ. შტურის რომანტიზმი (ლ. *შტური*); პოეტ.-რომანტიკოსების (სლადკოვიჩი, 1820—72, ი. ბოტო, 1829—81) შემოქმედებისათვის დამახასიათებელია რევ.-პატრ. თემა. განვითარდა დრამატურგია და სატირული პროზა (ი. ზაბორსკი, 1812—76).

XIX ს. 80-იან წლებში მკვიდრდება რეალიზმი. პოეზია თავისუფლდება რომანტ. პათეტიკისა და ალეგორიზმისაგან, პროზაში ჩნდება ეროვნ.-განმათ. და მორალურ-ზნეობრივი პრობლემები (ს. *ჯაანსკი*, მ. *კუკურინი*). ვითარდება ლიტ. კრიტიკა (ი. შკულტეტი, 1853—1947, და სხვ.) და ლიტმცოდნეობა (ი. ვლჩეკი, 1860—1930).


XX ს. დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ე. წ. სლოვაკურ მოდერნს (ი. კრასკო, 1876—1958, და სხვ.).

ჩეხოსლ. რესპ. ჩამოყალიბების (1918) შემდეგ სლოვაკური ლიტ-რა იდეურ-ესთეტიკურად განახლდა (პოეტები ი. პონიჩანი, დ. 1902, ლ. ნოვომეისკი, დ. 1904, პროზაიკოსი პ. *ილემნიცკი*). 30-იან წლებში განვითარდა სოც.-ანალიტიკური (მ. ურბანი, დ. 1904, და სხვ.) და სოც.-რევ. რომანის, რეალისტური სატირის ჟანრები (ი. *ეზენსკი*, ი. *სტოდოლა* და სხვ.), ლირიკაში გაძლიერდა სამოქალაქო მოტივები (ე. ბ. ლუკაჩი, დ. 1900, ფ. *კრალი* და სხვ.). განვითარდა ნეორომანტიკული და სიურრეალისტური ტენდენციები.

მარიონეტული სლოვაკიის სახელმწიფოს არსებობის პერიოდში (1939—45) ლიტ-რაში არალეგალურ ანტიფაშისტურ ნაწარმოებებთან ერთად ვრცელდებოდა ალეგორიული, „დაშიფრული" ლიტ-რა (ლ. ონდრეიოვი, 1901 — 62, დ. ხრობაკი, 1907 — 51). სახ.-დემოკრ. წყობის დამყარებასთან ერთად განმტკიცდა სოციალ. რეალიზმი. პროზაში გაღრმავდა ანტიფაშისტური ბრძოლისა და სოც. გარდაქმნათა თემა (ვ. *მინარჩი* და სხვ.). სოციალ. პოეზია დაკავშირებულია ა. პლავკას (დ. 1907), ი. კოსტრას (დ. 10) და სხვ. შემოქმედებასთან. ვითარდება დრამატურგია (ი. ბუკოვჩანი, 1921—75, ი. სოლოვიჩი, დ. 1934, და სხვ.), კრიტიკა და ლიტმცოდნეობა.

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. ს-ის ტერიტორიაზე შემოინახა პირველყოფილი ხელოვნ. ნიმუშები (პალეოლითის, ნეოლითის, ბრინჯაოს ხანა), თრაკიელების, სკვითების, კელტების, ძვ. სლავებისა და სხვ. ნაკეთობანი. I—II სს. მიეკუთვნება ძვ. რომაული ციხესიმაგრეები, IV ს. — მდიდრული სამარხები. XI—XIII სს-ში შენდება რომანული სტილის სლოვაკური არქიტ. პირველი ნიმუშები (ეკლესიები, ციხე-დარბაზები), ეკლესიებს ამკობენ მხატვრობით. XIV — XVI სს-ში ვრცელდება გოთიკა (რეგულარულად დაგეგმარებული ქ-ები, დარბაზული ეკლესიები). აღსანიშნავია წმ. ელისაბედის ტაძარი (1382—1499) კოშიცეში, ფერწერაში იგრძნობა იტალ., ჩეხ., უნგრ., გერმ. კულტურათა გავლენა. გამოირჩევა ხეში გამოკვეთილი საკურთხეველები, მ. შ. პავლე ლევოჩელისა (1508—15, წმ. იაკუბის ტაძარი ლევოჩაში). აღორძინების ხანას მიეკუთვნება XVI—XVII სს. საცხოვრ. სახლები, მდიდრული სასახლეები და სხვ. XVII ს-ში ვრცელდება ბაროკო. XIX ს-ში ინტენსიურად იზრდება ქ-ები. გავრცელდა *კლასიციზმი*. თავი იჩინა ისტ. სტილთა მიმბაძველობამ. XIX—XX სს. მიჯნაზე ხუროთმოძღვრები მიმართავენ ხალხ. ტრადიციებს (დ. იურკოვიჩი). XIX ს. I ნახევარში ფერწერაში ვითარდება ეროვნ. თემატიკა. XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყისში დიდი ადგილი ეთმობა მშობლიური ხალხის ცხოვრების ასახვას, პეიზაჟს, რეალისტურ ქანდაკებას. XX ს-ში მიმდინარეობს ქ-ების ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. *„მოდერნსა"* და *ნეოკლასიციზმთან* ერთად ინერგება რაციონალური მეთოდები (ე. ბელუში). ფერწერაში ძირითადად ეროვნ. თემატიკაზე მუშაობენ. ს-ში ფართოდ გაიშალა სამრეწვ. და სამოქალაქო მშენებლობა. შენდება ახ. საზ. და საცხოვრ. შენობები: ბრატისლავაში — ზამთრის სტადიონი (1963, არქიტ. ი. ხოვანეცი, ი. პოშტულკა), ხიდი დუნაიზე (1972) და სხვ., დაიდგა ბევრი ძეგლი. განვითარდა დაზგური და წიგნის გრაფიკა. იქმნება დეკორ. ხელოვნ. ნიმუშები, ვითარდება მონუმ. ფერწერა (ფ. გაიდოში და სხვ.). ს-ის ხალხ. ხუროთმოძღვრების ნიმუშებს (ხის მორების ან ქვის სახლები, ხის ეკლესიები) ბევრი აქვს საერთო ჩეხ., უნგრ., დას. უკრაინულთან. განვითარებულია ხალხ. ხელოვნება — სოფლად სახლების მოხატვა, კერამიკა, ქარგვა და სხვ.

მუსიკა. მუს. ფოლკლორი მდიდარია სასიმღერო ჟანრებით — ბალადა, ლირ. ეპიკური, ყოფითი, საწესჩვეულებო სიმღერები. მათთვის დამახასიათებელია განვითარებული მელოდიკა და რიტმული მრავალფეროვნება; უპირატესად ერთხმიანია, დიატონური. ცეკვებიდან აღსანიშნავია ფრიშკი (კრაკოვიაკის ტიპის, ჩქარი, ერთნაწილიანი) და ოძემოკი (მწყემსური, მამაკაცთა სოლო ცეკვა). მუს. საკრავები — ფუიარა, მწყემსური სალამურები, გაიდა (სტვირი). XV ს-ში მუსიკაში იჭრება მრავალხმიანი საკულტო სიმღერა. XVII ს-ში პროფ. მუსიკაში ვლინდება იტალ. და გერმ. მუს. ბაროკო. XVIII ს. II ნახევარში ვითარდება პასტორალი. მუს. ცენტრებია ბრატისლავა, კოშიცე, ბანსკა-ბისტრიცა. პირველი საოპერო სპექტაკლები დაიდგა ბრატისლავის სამეფო კარზე (1648-იდან) და თეატრებში (1776-იდან). ეროვნ. მუს. ხელოვნ. განვითარებას აფერხებდა მრავალსაუკუნოვანი ავსტრ. და უნგრ. ძალადობა. ეროვნ. მუს. აღორძინება დაიწყო XIX ს. 30-იანი წლებიდან. ეროვნ. მუს. სკოლის ფუძემდებელია ი. ბელა. ჩეხოსლ. რესპ. შექმნის (1918) შემდეგ ჩამოყალიბდა მრავალი მუს. დაწესებულება და ორგანიზაცია. იხ. სტ. *ჩეხოსლოვაკია*, თავი მუსიკა.



სლოვაკია. ლევოჩის რატუშა. 1550—1615.

თეატრი. თეატრ. ხელოვნება განვითარდა XVIII ს-ში. 1830 ლიპტოვსკი-მიკულაშში მოყვარულთა წრის ძალებით უჩვენეს პირველი წარმოდგენა სლოვაკურ ენაზე. ამის შემდეგ აღმოცენდა მოყვარულთა წრეები სხვადასხვა ქალაქში, რ-ებმაც ხელი შეუწყვეს ს-ში პროფ. თეატრების ჩამოყალიბებას. ს-ის თეატრის განვითარების ახ. ეტაპი დაიწყო ჩეხოსლ. რესპ. შექმნის (1918) შემდეგ. 1920 ბრატისლავაში აღმოცენდა პირველი პროფ. თეატრი, რ-ის ფუძემდებლები იყვნენ: ი. ბოჭოდაჩი, ა. ბაგარი, გ. კელო, ო. ორსაგოვა, გ. მელიჩკოვა. 1932—39 წწ. საუკეთესო სპექტაკლებია ი. ტაიოვსკის „ქალეშის კანონი", „აურზაური", ვ. ზაბორსკის „მიგდებული ბავშვი" და სხვ. 1944 მარტინში გაიხსნა კამერული თეატრი, რ-მაც ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ (1945) მიიღო სლოვაკიის ეროვნ. აჯანყების სახ. თეატრის სახელწოდება. წამყვანი კოლექტივია სლოვაკიის ეროვნ. თეატრი ბრატისლავაში. მისი საუკეთესო სპექტაკლებია: ი. პოპოვის „ოჯახი" (1951), ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია" (1957), სოლოვიჩის „მერიდიანი" (1974) და სხვ. თეატრის წამყვანი რეჟისორები არიან: ი. ბუდსკი, პ. გასპრა, ტ. რაკოვსკი, კ. ზახარი; მთავარი მხატვარი — ლ. ვიხოდილი; წამყვანი მსახიობები — ო. ბოროდაჩევა, ვ. სტრნისკოვა, მ. გუბა, ვ. ზაბორსკი, ლ. ხუდიკი, მ. გრეგორი და სხვ. ს-ში 16 თეატრ. კოლექტივია.

სლოვაკიის ეროვნული აჯანყება 1944, სლოვაკი ხალხის ანტიფაშისტური ეროვნ.-განმათ. აჯანყება 29 აგვ. — 27 ოქტ., მოამზადეს სლოვაკმა და ჩეხმა კომუნისტებმა (გ. პუსაკი, ლ. ნოვომესკი, კ. შმიდკე და სხვ.). აჯანყებამ მოიცვა სლოვაკიის ტერიტ. 2/3 (ცენტრ. და აღმ. ნაწილი). 30 აგვ. სლოვაკიის ეროვნ. საბჭომ ფაშისტური მარიონეტული მთავრობა დამხობილად გამოაცხადა და ხელთ იგდო ძალაუფლება. საბჭ. არმია მიიწევდა წინ აჯანყებულების დასახმარებლად (მის შემადგენლობაში იყო უკრ. I ფრონტის 39-ე არმია, რ-შიც შედიოდა აგრეთვე ჩეხოსლ. I საარმიო კორპუსი). 6 ოქტ. საბჭ. არმიამ დაიკავა დუკელის გადასასვლელი. მიუხედავად ამისა, ჭარბმა ფაშისტურმა ჯარებმა 27 ოქტ. დაიკავეს აჯანყების ცენტრი ბანსკა-ბისტრიცა და სხვ. ქ-ები. პარტიზ. ბრიგადები მთებში იბრძოდნენ და 1945 იანვ. შეუერთდნენ შეტევაზე გადასულ საბჭ. არმიას. ს. შ. ა-ით ჩეხოსლოვაკიაში ეროვნ.-დემოკრ. რევოლუცია დაიწყო.

სლოვაკიის კომუნისტური პარტია (სკპ; Komunistická Strana Slovenska), *ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის* (ჩკპ) ტერიტორიული ორგანიზაცია. ხელმძღვანელობს ჩკპ ყრილობების გადაწყვეტილებებითა და ჩკპ ცკ-ის დადგენილებებით. II მსოფლიო ომის (1939—45) წლებში სკპ სლოვაკიის ანტიფაშისტური ეროვნ. წინააღმდეგობის მოძრაობის წამყვანი ძალა იყო. 1943 მისი ინიციატივით შეიქმნა სლოვაკიის ეროვნ. საბჭო, სკპ-მ მოამზადა და სათავეში ჩაუდგა *სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებას 1944*. სლოვაკიის კომუნისტები შევიდნენ ჩეხოსლ. ეროვნ. ფრონტის პირველი მთავრობის შემადგენლობაში (კოშიცე, 1945 წ. 4 აპრ.). ჩეხოსლ. ტერიტ. განთავისუფლების შემდეგ ჩკპ-თან ერთად სკპ იბრძოდა სოც.-ეკონ. გარდაქმნებისათვის, სოციალ. საზ-ბის აშენებისათვის. 1968 იანვ. სლოვაკიაში, ისევე როგორც მთლიანად ჩეხოსლოვაკიაში, მოხდა მემარჯვენე და ანტისოციალ. ელემენტების გააქტიურება. 1968 წ. 26—29 აგვ. სლოვაკიაში ჩატარდა სკპ-ის საგანგებო ყრილობა. ყრილობამ დადებითად შეაფასა სსრკ-თან 1968 აგვ-ში ჩატარებული მოლაპარაკების შედეგები და სკპ ცკ-ის პირველ მდივნად აირჩია გ. *პუსაკი*. მორიგმა ყრილობამ (1971) დაადასტურა პარტიის მარქსისტულ-ლენინური ხასიათი და ხელმძღვ. როლი საზ-ბაში. უკანასკნელი ყრილობა ჩატარდა 1981 წ. 20—22 მარტს.

სკპ-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. აერთიანებს 405 ათ. წევრს და წევრობის კანდიდატს (1983). სკპ ცკ-ის მდივანი ი. ლენარტი. ბეჭდვითი ორგანოა გაზ. „პრავდა" („Pravda").

სლოვაკიის მაღნიანი მთები (Slovenské Rudohorie), მთები ჩეხოსლოვაკიის აღმ. ნაწილში, დას. კარპატების სისტემაში. სიგრძე 140 *კმ*, სიმაღლე 1477 *მ*-მდე (მთა სტოლიცა). უმთავრესად აგებულია გრანიტებითა და კრისტ. ფიქლებით. ჭარბობს საშუალმთიანი რელიეფი ცალკეული შთენილი მწვერვალებით. სამხრ. კალთები შემოსილია მუხნარითა და წიფლნარით, ჩრდ. კალთები — წიწვოვანი ტყით. ს. შ. მ-ში არის რკინისა და სპილენძის მადნები, სტიბიუმი, ოქრო, მაგნეზიტი და სხვ.

სლოვაკიის საბჭოთა რესპუბლიკა 1919, პროლეტარიატის დიქტატურის ხელმწიფო სლოვაკიაში 1919. შეიქმნა რუსეთში 1917 ოქტ. რევ. გამარჯვებისა და *უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის* (1919) შექმნის გავლენით. გამოცხადდა 16 ივნ. პრეშოვში (სლოვაკია). 20 ივნ. რევ. აღმასრ. კომიტეტმა (სლოვაკიაში საბჭ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, შეიქმნა 16 ივნ.) დაამტკიცა სლოვაკიის რევ. სამთავრობო საბჭოს შემადგენლობა (ქ. კოშიცეში). საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და სამრეწვ. საწარმოების, ბანკების, ტრანსპ. ნაციონალიზაციისა და მემამულეთა და საეკლ. მამულების (50 ჰა-ზე მეტი) უსასყიდლო ექსპროპრიაციის შესახებ, გამოსცა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების, ჯამაგირისა და პენსიების გადიდების შესახებ, გლეხები გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ და სხვ. სლოვაკიის საბჭ. მთავრობამ გაატარა მობილიზაცია და შეუდგა სლოვაკიის წითელი არმიის შექმნას. 7 ივლ. ჩეხოსლ. სადემარკაციო ხაზიდან უნგრ. წითელი არმიის იძულებითი უკანდახევის შემდეგ ს. ს. რ. დაეცა.

სლოვაკური ენა, განეკუთვნება სლავური ენების დასავლურ ჯგუფს. ძირითადად გავრცელებულია ჩეხოსლ. სრ-ში. ს. შ-ზე ლაპარაკობს 4200 ათ-მდე კაცი. აქვს 3 დიალექტი — დასავლური, შუა და აღმოსავლური სლოვაკური. სალიტ. ენის ჩამოყალიბება დაიწყო XIX ს. 40-იანი წლებიდან შუა დიალექტის საფუძველზე. ს. შ-ის უძველესი ძეგლები განეკუთვნება XV—XVI სს. დამწერლობას საფუძვლად უდევს ლათ. გრაფიკა.

ლიტ.: Селищев А. М., Славянское языкознание, т. 1 — Западнославянские языки, М., 1941.

სლოვაცკი (Słowacki) იულიუშ (4. IX. 1809, კრემენეცი, ახლანდ. ტერნოპოლის ოლქი, უკრ. სსრ, — 3. IV. 1849, პარიზი, დაკრძალულია კრაკოვში), პოლონელი პოეტი. დაამთავრა ვილნიუსის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1828). ს-ის პირველი რომანტ. ნაწარმოებებია „არაბული პოემა" (1828), „ჰუგო" (1829), „იან ბელეცკი" (1830) და სხვ. პირველი დრამებით („მარიამ სტიუარტი", 1830, „მინდოვგი, ლიტვის მეფე", 1831) შეეცადა შეექმნა პოლიტ. კონფლიქტებითა და ადამიანური ვნებებით აღსავსე ტრაგედია. 1830—31 აჯანყებას გამოეხმაურა ლექსების ციკლით „ოდა თავისუფლებას" (1830) და სხვ. 1831-იდან ემიგრაციაში წავიდა. აღსანიშნავია ს-ს მრავალწლიანი მიმოწერა დედასთან, აგრეთვე პოემა „შვეიცარიაში" (გამოიცა 1839). ისევე როგორც ა. მიცკევიჩმა, ს-მ გადმოსცა რევ. რომანტიზმის იდეები და სულისკვეთება. 40-იან წლებში მან შექმნა პოლ. რომანტ. თეატრის რეპერტუარი („კორდიანი", 1834 და სხვ.). პოემებში „ლამბრო" (1833) და „ანჰელი" (1838) პოეტმა წარმოაჩინა შლიახტის როლი განმათ. მოძრაობაში. ავტორია ზღაპრულ-ფანტასტ. ხასიათის დრამების ციკლისა („ბალადინა", დაიწერა 1834, გამოიცა 1839; „ლილა ვენედა", 1840), რევ. და პატრ. ლექსებისა („ჰიმნი", 1836, გამოქვეყნდა 1839; „ჩემი ანდერძი", 1839—40 და სხვ.).

თხზ.: Избр. соч., т. 1—2, М., 1960; Лирика, М., 1966.

სლოვენები, ერი იუგოსლავიაში, რაოდ. 1,7 მლნ. კაცამდე (1978, აღწერა), მ. შ. 1,6 მლნ. ცხოვრობს სლოვენიის სოციალ. რესპუბლიკაში, 400 ათ-მდე კაცი — იუგოსლ. საზღვრებს გარეთ, უმთავრესად აშშ-ში, უნგრეთში, იტალიასა და ავსტრიაში. ლაპარაკობენ სლოვენურ ენაზე. მორწმუნეთა უმრავლესობა კათოლიკეა, არიან პროტესტანტები და მართლმადიდებლებიც. თანამედროვე ს-ის წინაპრებს ეკავათ შუა დუნაის აუზის, პანონიის დაბლობის, აღმ. ალპებისა (კარანტანია) და ადრიატიკის ზღვის სანაპიროს ვრცელი ოლქები. VIII ს. შუა წლებში კარანტანია ბავართა გამგებლობაში მოექცა, ხოლო იმავე საუკუნის დასასრ. ქვემო პანონიის ს-თან ერთად ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ს-ის მიწების უმრავლესობა IX ს. დასასრ. დაახლ. ათასი წლის მანძილზე გერმ. ფეოდალთა ხელში იყო და ამ მიწებზე გერმ. და უნგრ. კოლონისტები სახლდებოდნენ. აღმ. ს-ის მიწები უნგრ. მაგნატებმა დაიკავეს, პანონიის ს-ის ნაწილმა მადიარიზაცია განიცადა. ს-ის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი XIII ს-ში ავსტრ. ჰაბსბურგებმა დაიმორჩილეს. 1918 ს-ის ძირითადი მასა სხვა იუგოსლ. ხალხებთან ერთად გაერთიანდა ერთიან სახელმწიფოში (1929), მაგრამ ს-ის ცალკეული ნაწილები იტალ. და ავსტრ. მორჩილებაში აღმოჩნდნენ. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ს-ით დასახლ. იულიუსის კრაინის დიდი ნაწილი იუგოსლ. შემადგენლობაში შევიდა. იუგოსლავიაში სახ.-დემოკრ. წყობილების დამყარების შემდეგ (1945) ს-ის ეკონ. და ეროვნ. კულტურის განვითარება სხვა იუგოსლ. თანასწორუფლებიან ხალხებთან ერთად სოციალ. გზით წარიმართა.



ი. სლოვაცკი.

სლოვენია (Slovenija), სლოვენიის სოციალისტური რესპუბლიკა (Socijalistička Republika Slovenija), რესპუბლიკა იუგოსლავიის (ისფრ) შემადგენლობაში, ქვეყნის ჩრდ.-დას. ნაწილში. დას-ით ესაზღვრება იტალია, ჩრდ-ით — ავსტრია, სამხრ.-დას-ით აკრავს ტრიესტის ყურე (ადრიატიკის ზღვა). ფართ. 20,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,9 მლნ. კაცი (1981). დედაქალაქი — ლიუბლიანა. სხვა დიდი ქ-ებია: მარიბორი, ცელე.

ბუნება. ს. უმთავრესად მთიანი რესპუბლიკაა, რ-ის ჩრდ.-დას. და ჩრდ. ნაწილი უჭირავს აღმ. ალპების ქვედებს (სიმაღლე 2863 *მ*-მდე, მთა ტრიგლავი; იულიუსის ალპები), სამხრ. ნაწილი — დინარის მთიანეთის ჩრდ. კიდეს, მ. შ. კირქვულ პლატო კრასს (კარსტი). დას-ით და აღმ-ით დაბლობებია. ჰავა ტერიტ. დიდ ნაწილში ზომიერია, კონტინენტური. იანვ. საშ. ტემპ-რა მთათაშუა ხეობებში 0, —2°C, ივლ. 18—19°C. ნალექები 800—1200 *მმ* წელიწადში (მთაში ზოგან 2000 *მმ*-ზე მეტი). სანაპიროზე სუბტროპ. ხმელთაშუა ზღვის ჰავაა. მთავარი მდები სავა და დრავა განეკუთვნება დუნაის აუზს. არის მყინვარული და კარსტული ტბები. ტერიტ. დაახლ. 46% შემოსილია ტყით.

ისტორიული ცნობა. ს-ის ტერიტ. უძველესი დროიდან დასახლებული იყო კელტურ-ილირიული ტომებით. ძვ. წ. I ს-ში დაიპყრო რომმა. VI—VII სს-ში აქ სლავები — სლოვენები — დასახლდნენ. VII ს-ში ჩამოყალიბდა ადრინდ. ფეოდ. სახელმწ. *კარანტანია*, რ-იც დაახლ. 745-



მ. პერსკი. გორნიგრადის ეკლესია. 1757—63.



ზ. კალინი. „საბავშვო თამაშობანი". ბრინჯაო. ქ. ლიუბლიანის კოლექცია.



სვეტი-იანეზის ეკლესია ბოჰინის ტბაზე. XV ს. გადაკეთებულია XVI—XVIII სს.

იდან ბავარიის გამგებლობას დაექვემდებარა, დაიწყო სლოვენების ძალდატანებით გაქრისტიანება. 788 დაემორჩილა ფრანკთა სახელმწიფოს, მისი დაშლის (843) შემდეგ — აღმ. ფრანკთა სამეფოს. XI—XIII სს-ში სლოკენებით დასახლ. ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა „საღვთო რომის იმპერიაში" შემავალი ფეოდ. სამთავროები — კარინტია, შტირია, კრაინა, გორიცა, ისტრია. 1282 ს-ის მიწების მიტაცება დაიწყეს ჰაბსბურგებმა, XV ს. შუა წლებიდან ს-ის ტერიტორიას თავს ესხმოდნენ ოსმალები. ფეოდ. და ეროვნ. ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია გლეხთა აჯანყებები (1478, 1515, 1573 და სხვ.). XVI ს-ში ჩაისახა ადრინდ. კაპიტალ. ურთიერთობანი, ქ-ებში გავრცელდა *რეფორმაცია*. 1609—14 ს-ის ტერიტ. დიდი ნაწილი *ილირიის პროვინციების* შემადგენლობაში შევიდა. 1814—15-იდან ს-ის მიწები კვლავ ავსტრ. ჰაბსბურგთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. XIX ს. 50—60-იან წლებში ძლიერდება ეროვნ. მოძრაობა. 1896 შეიქმნა იუგოსლ. ს.-დ. პარტია, მუშათა ერთ ნაწილში ქრისტ. სოციალიზმი გავრცელდა, შეიქმნა ბურჟ. პარტიები. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ს-ის ბურჟ. პარტიების ხელმძღვანელობა მხარს უჭერდა ავსტრ.-უნგრ. მთავრობას. 1917 რუს. ოქტ. რევოლუციამ გააქტიურა ს-ის რევ. მოძრაობა. 1918 წ. 29 ოქტ. ზაგრებში სახ. ეჩემ გამოაცხადა სამხრ. სლაური მიწების გამოყოფა ავსტრია-უნგრეთისაგან. 1 დეკ. სერბიასთან გაერთიანების შედეგად შეიქმნა სერბების, ხორვატებისა და სლოვენების (1929-იდან იუგოსლავია) სამეფო. 1937 დაარსდა ს-ის კომპარტია (იუგოსლ. კპ-ის ფარგლებში). ფაშისტური აგრესიის დროს ს. ოკუპირებული იყო და გაიყო საბერძნეთსა და იტალიას შორის. 1941 წ. 27 აპრ. ლიუბლიანაში შეიქმნა განმათ. ფრონტი. 1941 ივლ-ში დაიწყო სლოვენი ხალხის ბრძოლა, რ-იც იუგოსლ. სახ.-განმათ. ომის ნაწილი იყო. იუგოსლ. განთავისუფლებისა და 1945 წ. 29 ნოემბ. იუგოსლ. ფედერ. სახ. რესპ. (იფსრ) გამოცხადების შემდეგ ს. ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელი სახ. რესპუბლიკაა, ხოლო იუგოსლ. და ს-ის კონსტ. (1963 და 1974) თანახმად ს. ისფრ-ში შემავალი სოციალ. რესპუბლიკაა.

მეურნეობა. ს. ეკონომიკურად იუგოსლ. ყველაზე მეტად განვითარებული რესპუბლიკაა. ენერგეტ. ბაზაა ღრავაზე, სავა-სა და სხვა მდ-ებზე აგებული ჰესები და მურა ნახშირზე მომუშავე თესები. იღებენ პოლიმეტალების მადანს, ბოქსიტს, სტიბიუმს, ვერცხლისწყალს. განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია. მრეწვ. წამყვანი დარგია მანქანათმშ., მ. შ. ავტომშენებლობა (მარიბორი) და ელექტროტექნიკა (ლიუბლიანა, კრანი). მნიშვნელოვანია საფეიქრო, ხის დასამუშ., ქიმ., კვების, პოლიგრ. მრეწველობა.

სოფ. მეურნეობაში გამოყენებულია ს-ის ტერიტ. დაახლ. ნახევარი. მიწაფოთმოქმედების მთავარი რ-ნებია დრავისა და მურის ხეობები და მთათაშუა ქვაბულები. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, კარტოფილი, სვია, ვარდკაჭაჭა, შაქრის ჭარხალი, სელი. განვითარებულია მებაღეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა.

უცხოეთის ტურიზმის ცენტრებია ლიუბლიანა, მარიბორი, პოსტოინა, პორტოროჟი. ს-ზე გადის იუგოსლავიის იტალიასა და ავსტრიასთან დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზები და გორიცია—ლიუბლიანა—ზაგრებ—ბელგრადის საავტ. გზა.

კულტურული მშენებლობა. 1983 ს-ში იყო: ძირითადი სკოლა რვაწლედი (სწავლობდა 220 ათ-მდე მოსწ.), სრული საშ. სკოლა — გიმნაზია (სწავლობდა 15 ათ. მოსწ.), პროფტექ. სკოლები (100 ათ-მდე მოსწ.), 26 უმაღლესი სასწავლებელი (სწავლობდა 26 ათ. სტუდენტი). სამეცნ. დაწესებულებების უმრავლესობა ლიუბლიანაშია: ს-ის მეცნ. და ხელოვნ. აკადემია (1938-იდან), სამეცნ.-კვლ. ინ-ტები. სამეცნ. კვლევა წარმოებს უმაღლეს სასწავლებლებშიც. 1983 ს-ში იყო 180-მდე სახ. ბ-კა, 300-მდე სამეცნ. და სპეც. ბ-კა, 100-მდე მუზეუმი.

ს-ში ყოველწლიურად გამოდის 1200-მდე წიგნი და ბროშურა. 1983 გამოდიოდა 3 ყოველდღიური, 20-ზე მეტი ყოველკვირეული გაზეთი, ჟურნალი და სხვა. პერიოდული გამოცემა. ცენტრ. გაზეთია „დელო" („Delo", 1959-იდან, ტირაჟი 95 ათ.). რადიომაუწყებლობა მუშაობს 1928-იდან, ტელევიზია — 1958-იდან.

ლიტერატურა. სლოვენური დამწერლობა X ს-ში ჩაისახა. სლოვ. სალიტ. ენის განვითარება რეფორმაციის პერიოდამდე შეაფერხა ქვეყნის გერმანიზაციამ, პროტესტანტმა მღვდელმა პ. ტრუბარმა (1508—86) შეადგინა ანბანი და გამოსცა რელიგ. ლიტ-რა სლოვ. ენაზე. XVIII ს-ში განმანათლებელთა იდეების ზეგავლენით განვითარდა საერო ლიტ-რა (მ. პოხლინი და სხვ.). XVIII—XIX სს. მიჯნაზე ეროვნ. აღორძინებასთან ერთად განვითარდა ლიტ-რაც (ა. ტ. ლინპარტი, 1756—95, ვ. ვოდნიკი, 1758—1819, და სხვ.). XIX ს. 20-იან წლებში ვითარდება რომანტიზმი (ფ. *პრეშერნი*); 60-იანი წლებიდან—რეალიზმი. საფუძველი ეყრება ისტ. რომანს (ფ. ლევსტიკი, 1831 — 87, ი. იურჩიჩი, 1844 — 81, და სხვ.). XIX — XX სს. მიჯნაზე ვითარდება ნატურალიზმი (ფ. გოვეკარი, 1871—1949, და სხვ.), ე. წ. სლოვ. მოდერნი (ო. *ჟუპანჩიჩი* და სხვ.) და პროლეტ. ლიტ-რა (ი. ცანკარი, 1876—1918).

იუგოსლ. სახელმწიფოში შესვლის (1918) შემდეგ სლოვ. ლიტ-რა ინტენსიურად ვითარდება. ლიტ. სარბიელზე იღვწიან რევოლუციონერი მწერლები (ს. კოსოველი, 1904—26, ტ. სელიშკარი, დ. 1900, ბ. კრეფტი, დ. 1905), ექსპრესიონისტები (ა. პოდბევშეკი, დ. 1898, ა. ვოდნიკი, 1901—65, და სხვ.), რეალისტები (ფ. ბევკი, 1890—1970, ი. კოზაკი, 1892—1964, და სხვ.). განვითარდა მარქსისტული კრიტიკა (ბ. ზიხერლი, 1910—76, ი. ბრჩიჩი, 1912—43, და სხვ.), დოკუმენტური ჟანრი (ი. კოზაკი, 1892—1964, და სხვ.), სოც.-ფსიქოლ. (ფ. კოზაკი, 1894—1957, და სხვ.) და ისტ. დრამა (ბ. კრეფტი, დ. 1905, და სხვ.); ჩამოყალიბდა „ახალი" ანუ „სოციალური" რეალიზმი (მ. *კრანეცი*, ც. *კოსმაჩი* და სხვ.). ფაშისტური ოკუპაციის წლებში გაცხოველდა პატრ. ლირიკა (ბ. ჟუპანჩიჩი, მ. ბორი, დ. 1913, და სხვ.).

თანამედროვე სლოვ. რეალიზმი ხასიათდება ფსიქოლ. ანალიზის სიღრმით და კომპოზიციის სირთულით (მ. კრანეცი, ი. მენარტი, დ. 1929, და სხვ.). 70-იან წლებში მკვიდრდება რეალისტური კრიტიკა (ი. ვიდმარი, დ. 1895).

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. ს-ის ტერიტორიაზე მიკვლეულია პალეოლითისა და ნეოლითის ხანის მრავალი ნივთი და ნაგებობის ნაშთები. ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III ათასწლ. დასასრ. — ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყ.) აქ სახლდებიან ილირიელები და ვენეტები. ძვ. წ. I ათასწლ. II ნახევარში ჩნდება კელტების დასახლებანი, ძვ. წ. I—ახ. წ. IV სს-ში — რომაული ქ-ები. IV—VII სს. მიეკუთვნება გუთებისა და ლანგობარდების ხელოვნ. ნიმუშები. კათოლიკობის მიღებას (VIII ს.) მოჰყვა ქვის ეკლესიებისა და მონასტრების (XII—XIII სს.) მშენებლობა: ნაგებობებს უხვად ამკობენ რელიეფებით. გოტიკის პერიოდში (XIII — XVI სს.) სწრაფად იზრდება ქ-ები. გავრცელებულია ქანდაკებითა და რელიეფით შემკული მდიდრული საკურთხევლები, ხის ქანდაკება („ღვთისმშობელი", XIV ს. III მეოთხედი, ეკლესია სოლჩავაში), ფერწერა იტალ. ხელოვნ. გავლენით უფრო მოცულობითი ხასიათის ხდება (იანეზ ლიუბლიანელის მოხატულობა ვისოკოში, 1443) და სხვ. ვრცელდება *რენესანსის* ხელოვნება როგორც არქიტექტურაში, ისე სახვით ხელოვნებაში. XVII ს-იდან ფეხს იკიდებს *ბაროკო*, რ-მაც XVIII ს-ში აყვავებას მიაღწია. შენობები უხვადაა შემკული ქანდაკებით, ნაძერწი მორთულობით, მოხატულობით, ქანდაკება დინამიურია. XVIII ს. დასასრ.—XIX ს. I ნახევარში, *კლასიციზმის* ხანაში, მიმდინარეობს ქ-ების რეკონსტრუქცია, ფერწერაში მკვიდრდება ყოფითი ჟანრი, პორტრეტი. XIX ს-იდან ვრცელდება „*მოდერნის*" სტილი. 1920—30-იანი წლებიდან ხუროთმოძღვრებაში მიმართავენ ეროვნ. ტრადიციებს, ადგილ. მასალებს. სახვით ხელოვნებაში მუშაობენ რეალისტური ფერწერისა (გ. ა. კოსი, ბ. იაკაცი) და ქანდაკების (ფ. ბერნეკერი) დიდი ოსტატები. 1945-ის შემდეგ შენდება ახ. ქ-ები, საცხოვრ. რ-ნები (საავადმყოფოები და სხვ.), მიმდინარეობს ქ-ების რეკონსტრუქცია, უხვად იყენებენ ადგილ. საშენ. მასალებს, ეროვნ. ელემენტებს (ქანდაკება, მოზაიკა, ფრესკები). სახვით ხელოვნებაში წამყვანი ადგილი უჭირავს რევ. და სახ.-განმათ. ბრძოლის თემატიკას, ხალხის ცხოვრებას. ხალხ. ხუროთმოძღვრებაში ზღვისპირეთში ჭარბობს ქვის სახლები, აღმ. და ალპებისპირა ზონაში — ხისა და თიხატკეპნილისა. გავრცელებულია ხეზე კვეთა, მეთუნეობა, ქსოვა და სხვ.

მუსიკა. სლოვ. მუს. ფოლკლორში გაბატონებულია ლირ., სახუმარო, საქორწილო სიმღერები და ბალადები. ალპ., ზღვისპირა და დას. რ-ნებში გავრცელებულია მრავალხმიანობა (უპირატესად 4-ხმიანობა), სამხრ. რ-ნებში საწესჩვეულებო სიმღერები, ე. წ. კოლედები სრულდება ერთ ხმაში. ხალხ. მუსიკა დიატონურია. მას საფუძვლად უდევს მაჟორი, ახასიათებს რთული რიტმი, ცვალებადი მეტრი. პროფ. მუს. ხელოვნება ვითარდება XV ს-იდან: იქმნება საეკლ. საგალობლები, რელიგ. დრამები მუს. ნომრებით, უფრო გვიან—პროტესტანტული საეკლ. გალობა, იტალ. ოპერა (იტალ. დასის სპექტაკლები ლიუბლიანაში, 1660), XV—XVI სს. სლოვენი კომპოზიტორები ბ. პრასპერგიუსი, ი. სლატკონია, ი. გალუს-კარნიოლუსი უპირატესად საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ. XVII ს. დასასრ.—XIX ს. დასაწყ. გამოჩენილი კომპოზიტორები იყვნენ ი. ი. ხოჩევარი, მ. ჩადეჟი, ი. ბ. პეფერი, მ. ომერზა, ი. ზუპანი (პირველი სლოვ. ოპერის ავტორი). მუს. კულტურის გავრცელებას ხელი შეუწყო ლიუბლიანაში ფილარმონიული აკადემიის (1701-იდან), ფილარმონიული სზ-ბის (1794, ერთ-ერთი უძველესი სზ-ბა ევროპაში), პედ. სასწავლებელთან სამუსიკო კლასების (1815-იდან), საოპერო თეატრისა და საოპერო დასის (1892-იდან) შექმნამ. ეროვნ. მუს. თავისებურებანი გამოვლინდა XIX ს. კომპოზიტორების — გ. რიხარის, ლ. დოლინარის და განსა-

კუთრებით მ. ვილხარისა და ი. ფლაიშმანის შემოქმედებაში, შემდგომი განვითარება კი ჰპოვა დ. ენკოს, ბ. იპავეცის, გ. მაშეკის (პირველი სლოვ. საგუნდო, კამერულ-საკრავიერი ნაწარმოებების ავტორების), ა. ფერსტერის შემოქმედებაში. XX ს. I ათეულის სლოვ. მუს. ნაწარმოებებს ქმნიან ჟურნ. „ახალი აკორდების“ ირგვლივ დაჯგუფებული კომპოზიტორები (გ. კრეკი, ი. რავნიკი, ე. ადამიჩი, ა. ლაიოვიცი, ვ. მირკი, მ. კოგოი, ი. პავჩიჩი, ს. პრემლი, რ. სავინი). 1908 ლიუბლიანაში შეიქმნა სლოვ. ფილარმონია, 1919 — კონსერვატორია (1924-იდან სახელმწ. კონსერვ., 1939-იდან — მუს. აკადემია). თანამედროვე სლოვ. მუსიკაზე იხ. სტ. *იუგოსლავია*, მუსიკა.

თეატრი. ს-ში პირველი თეატრ. წარმოდგენები — „სასკოლო დრამა“ და მისტერიები იდგმებოდა XVII ს-ში გერმ. და ლათ. ენებზე. საერო თეატრი აღმოცენდა XVII ს. I ნახევარში. 1765 ლიუბლიანაში გაიხსნა წოდებრივი თეატრი, სადაც გერმ. ენაზე იდგმებოდა ა. იფლანდის, ა. კოცებუს პიესები, XIX ს. დასაწყისიდან — ფ. შილერის, უ. შექსპირის პიესები. 1789 წოდებრივ თეატრში მოყვარულმა მსახიობებმა დადგეს პირველი სლოვ. პიესა ა. ლინჰარტის „მიცკა—ჟუპანის ქალიშვილი“ (ი. რიხტერის გერმ. პიესის მიხედვით). 1867 ლიუბლიანაში მწერალმა ფ. ლევსტიკმა შექმნა თეატრ. საზ-ბა, რ-თანაც მუშაობდა დრამ. სკოლა. 1892 ლიუბლიანაში გაიხსნა სლოვ. თეატრი. პირველი პროფ. მსახიობები არიან ი. ბორშტნიკი, ი. ნოლი, ა. დანილო-ცერარი, ა. ვეროვშეკი და სხვ., პირველი რეჟისორი იყო ი. ბორშტნიკი, შემდეგ — რ. ინემანი. ს-ის თეატრის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ი. ცანკარის დრამატურგია. I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში თავიდან ჩამოყალიბდა სლოვ. ეროვნ. თეატრის დასი, მუშაობა დაიწყო თეატრმა მარიბორში. 1945, ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ, მუშაობა განაახლეს თეატრებმა ლიუბლიანაში, მარიბორში, შეიქმნა რამდენიმე ახ. თეატრი. 1969 სლოვ. ეროვნ. თეატრის დრამ. დასი საგასტროლოდ იყო სსრკ-ში. თეატრის რეპერტუარშია სლოვ. და საზღვარგარეთის კლასიკა. თანამედროვე სლოვ. დრამატურგების — ბ. კრეფტის, ი. პოტრჩის, მ. ბორის პიესები, ა. ჩეხოვის და მ. გორკის დრამატურგია. ლიუბლიანაში მუშაობს თეატრ. ხელოვნ. აკადემია (1945 იდან), სლოვ. თეატრ. მუზეუმი (1965-იდან).

სლოვენური ენა, იუგოსლავიის სფრ-ს ერთ-ერთი ოფიციალური ენა. განეკუთვნება სლავური ენების სამხრეთულ ჯგუფს. ს. ე-ზე ლაპარაკობს 2 მლნ-მდე კაცი (აქედან 1,6 მლნ-მდე სლოვენიაში). ძირითადად გავრცელებულია იუგოსლავიაში (სლოვენიაში), აგრეთვე ავსტრიაში, იტალიასა და უნგრეთში. უძველესი წერილობითი ძეგლები თარიღდება X—XI სს-ით. სალიტ. ენის ჩამოყალიბება დაიწყო XVI ს-იდან, დამთავრდა XIX ს-ში. დამწერლობას საფუძვლად უდევს ლათ. გრაფიკა.

ლიტ.: Флоринский Т. Д., Лекции по славянскому языкознанию, ч. 1, К., 1895.

სლოვინსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (დ. 1935), ქართველი საბჭ. ფერმწერი, სცენოგრაფი; იხ. *სამეული*.

სლოვინსკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [დ. 23. V (5. VI). 1903, თბილისი], საბჭ. ინჟინერი, ხიდმშენებელი და მეცნიერი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1976), საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1960). სკკპ წევრი 1945-იდან. 1929 დაამთავრა საქართვ. სახელმწ. პოლიტექ. ინ-ტი. ს-ს უშუალო მონაწილეობით აიგო ხიდები დონზე, თერგზე, ლიახვზე, მტკვარზე (მ. შ. ჩელიუსკინელთა სახ. ხიდი), თბილ. სანაპიროები, რეკონსტრუირებულია თბილ. ძირითადი მაგისტრალები, მოედნები და სხვ.; ხიდთმშენებლობაში ახ. ტიპის კონსტრუქციების გამოყენებისათვის სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად 1976 ს-ს მიენიჭა სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Примеры проектирования сборных железобетонных мостов, 2 изд., М., 1970 (თანაავტ.: В. А. Российский, Б. П. Назаренко).

სლოკინი, დიაფრაგმის კრუნჩხვითი შეკუმშვა, რ-იც იწვევს უეცარ ღრმა შესუნთქვას და თავისებურ ხმიანობას. აღინიშნება კუჭისა და პერიტონეუმის გაღიზიანების, საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებების, აგრეთვე ცენტრ. ნერვული სისტემის, დიაფრაგმის ნერვის ფუნქციური და ორგ. დაავადებების და სხვ. დროს.

სლონიმი, ქალაქი (1940-იდან) ბელორ. სსრ გროდნოს ოლქში, მდ. შჩარის (ნემანის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. რკინიგზის სადგური. ქაღალდ-მუყაოს, ხორცის, პურის კომბინატები, ავტოსარემონტო, მოტოსარემონტო, სელის, მშრალი რძის, ღვინისა და სხვა ქ-ნები. სახ. თეატრი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სლონიმსკი (Słonimski) ანტონი (დ. 15. X. 1895, ვარშავა), პოლონელი მწერალი. პოლ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1955). ლექსების პირველი კრებ. „სონეტები“ 1918 გამოაქვეყნა. გმობდა იმპერიალ. ომს (პოემა „შავი გაზაფხული“, 1919 და სხვ.). ავტორია ანტიფაშისტური ლექსების კრებ. „განგაში“ (1940), „ფერფლი და ქარი“ (1940—41). მასვე ეკუთვნის პოლიტ. ფელეტონები და კომედიები. 1956—59 პოლ. მწერალთა კავშირის თავ-რე იყო.

სლონიმსკი მიხეილ ლეონიდის ძე [21. VII (2. VIII). 1897, პეტერბურგი, — 8. X. 1972, ლენინგრადი], რუსი საბჭ. მწერალი. მისი პირველი პროზაული კრებულია „მეექვსე მსროლელი“ (1922). ინტელიგენციის ცხოვრებას ეძღვნება ს-ის რომანები „ლავროვები“ (1926), „თომა კლეშნევი“ (1930), ტრილოგია: „ინჟინრები“ (1950), „მეგობრები“ (1954), „საუკუნის ხნისანი“ (1959). დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

სლუტერი (Sluter) კლაუს [დაახლ. 1340/50, ჰარლემი (?), — იანვარი, 1406, დიჟონი], ბურგუნდიელი მოქანდაკე, წარმოშობით ნიდერლანდელი. დაახლ. 1380 დასახლდა ბრიუსელში, 1385 გადავიდა დიჟონში. 1389-იდან იყო ფილიპ მამაცის სასახლის მხატვარი, ხელმძღვანელობდა შანმოლის მონასტრის სამუშაოებს (დიჟონის გარეუბანი). დაახლ. 1391—97 შექმნა სტატუები ბურგუნდიელ პერცოგთა ეკლესია-საძვალის პორტალისათვის, მ. შ. ფილიპ მამაცისა და მისი მეუღლის მარგარიტ ფლანდრიელის სტატუები (ყველა ქვა). 1395—1406 თავის ნათესავ კლაუს დე ვერვესთან ერთად შექმნა კომპოზიცია „გოლგოთა“ (მოღწეულია ამ ნამუშევრის მხოლოდ პოსტამენტი — ე. წ. „წინასწარმეტყველთა ჭა“ ან „მოსეს ჭა“). წინასწარმეტყველთა ფიგურები, განსაკუთრებით მოხუცი მოსე, გამოირჩევა მოხუმ., თამამი და ძლიერი ფორმებით. მუშაობდა ფილიპ მამაცის საფლავის ძეგლზე (1384—1411, ნატიფი ხელოვნ. მუზეუმი, დიჟონი; დაიწყო ჟან დე მარვილმა, დაასრულა კლაუს და ვერვემ). ს-ის ხელოვნებამ გარკვეული გავლენა მოახდინა საფრ., ნიდერ. და გერმ. აღორძინების ხელოვნ. განვითარებაზე.

სლუფსკი (Słupsk), ქალაქი ჩრდ. პოლონეთში, სლუფსკის სავოევოდოს ადმ. ცენტრი. 88 ათ. მკხ. (1982). მანქანათაშ., კვების, ავეჯის, სამკერვალო მრეწველობა. პედ. ინ-ტი.

სლუჩევსკი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე [26. VII (7. VIII). 1837, პეტერბურგი, —25. IX (8. X). 1904, იქვე], რუსი მწერალი. რედ.-დემოკრატების ლიტ.-ესთეტ. შეხედულებათა მოწინააღმდეგე იყო. რედაქტორობდა ჟურნ. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკს“ (1891—1902). ს-ს ეკუთვნის რომანები, ლექსები, მოთხრობები, გეოგრ.-ეთნოგრ. და ლიტ.-კრიტ. სტატიები. იგი რუს. მოდერნიზმის ერთ-ერთი წინამორბედი იყო.

სლუცკი ბორის აბრამის ძე (დ. 7. V. 1919, სლავიანსკი, დონეცკის ოლქი), რუსი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1943-იდან. დიდი სამამულო ომის (1941—45) მონაწილე. პირველი ლექსები 1941 გამოაქვეყნა, პირველი კრებ. „მახსოვრობა“ — 1957. ავტორია პოეტური კრებულებისა „დრო“ (1959), „დღეს და გუშინ“ (1961), „სამუშაო“ (1964), „თანამედროვე ისტორიები“ (1969), „დღიური პიკეთე“ (1973), „დაუმთავრებელი პაექრობანი“ (1978) და სხვ. დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

სლუცკი, ქალაქი ბელორ. სსრ მინსკის ოლქში, მდ. სლუჩის (დნეპრის აუზი) ნაპირზე. სლუცკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ბარანოვიჩი—ოსიპოვიჩის ხაზზე. სანიტ. ტექ. მოწყობილობის, რკინაბეტონის ნაკეთობათა, ავტოსარემონტო, სელის, შაქრის, საკონსერვო, ფეხსაცმლის ქ-ნები, ხორცკომბინატი, სამშენებლო და წისქვილკომბინატები, ავეჯის, საფეიქრო, მხატვრულ ნაწარმთა ფაბრიკები და სხვ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ს. ცნობილია 1116-იდან.

სლუცკისი მიკოლას (დ. 20. X. 1928, ქ. პანევეჟისი), ლიტველი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1950-იდან. ლიტ. მოღვაწეობა 1945 დაიწყო. ლირიზმითა და ფსიქოლ. ანალიზის სიზუსტით გამოირჩევა ს-ის მოთხრობათა კრებულები „კვლავ ვხედავ დროშას“ (1948), „ქარში“ (1958), „ნაბიჯები“ (1965; ლიტვ. სსრ სახელმწ. პრემია, 1966). ს-ს ეკუთვნის რომანები „ქეთილი სახლი“ (1955), „იბე ცაზე“ (1963), „ადამის ვაშლი“ (1965), „ჩემი შფოთიანი ნავსაყუდელი“ (1968), პიესები და ლიტ.-კრიტ. სტატიები. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

სმაკა, ადიგენის რ-ნის სოფლების *დიდი სმადისა* და *პატარა სმადის* ძვ. სახელწოდება.

სმალტა (გერმ. Smalta ან Schmalte< schmelzen—დნობა), ფერადი გაუმჭვირი (დაფუჭებული) მინა, რ-საც მოზაიკის დასამზადებლად იყენებენ. განასხვავებენ გამჭვირვალე (ცეცხლგამძლე საღებრებით შეღებილი მინა) და დაფუჭებულ (ოპალის) ს-ს, რ-საც იღებენ მინამასაში გამჭვირვალობის დასაფუჭებელი ნივთიერებების (კალაორჟანგის, სტიბიუმის ჟანგისა და სხვ.) დამატებით. მინამასისგან შტამპვით ან გახლეჩით იღებენ კუბურებს ან ფირფიტებს. ამზადებენ აგრეთვე ძარღვოვან და ლაქოვან ს-ს (რ-ის ერთ ნაჭერში თერმული დამუშავების შედეგად გაერთიანებულია რამდენიმე ელფერის ს.). ს-ის გამოყენება მოზაიკისათვის ჯერ კიდევ ანტ. პერიოდში დაიწყეს. ს-ით ამდიდრებდნენ ქვის მოზაიკის ღარიბ კოლორიტს (ბიზანტია, იტალია, საქართველო, რუსეთი).

სმარიდა (Spicara smaris), თევზი ქორჭილასნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 20 *სმ*, მასა 80 *გ* აღწევს. აქვს მთლიანი ზურგის ფარფლი. პირი ზოგჯერ მილისებურად გრძელდება. სხეულზე სიგრძივი ცისფერი ზოლები აქვს, კენტ ფარფლებზე — ცისფერი ლაქები. გავრცელებულია ატლანტის ოკეანის აღმ. ნაწილში, ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში. დაჭერილ თევზს მოჰყვება ხოლმე.



სმარიდა

სმატსი (Smuts) იან კრისტიან (24. V. 1870, ბოვენპლატსი, კაპის პროვ., — 11. IX. 1950, აირინი, პრეტორიის ახლოს),

საბრ. კავკასიის პოლიტიკური მოღვაწე; ბრიტ. უცილდმარშალი (1941-იდან), ფილოსოფოს-იდეალისტი. სამხრ. აფრ. კავშირის პრემიერ-მინისტრი (1919—24 და 1939—48). იყო ერთა ლიგის წესდების ერთ-ერთი ავტორი და სამანდატო სისტემის შექმნის ინიციატორი. ატარებდა ზანგი მოსახლ. რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტჰეიდის პოლიტიკას. თავის პოლიტ. თხზულებებში პროპაგანდას უწევდა რასისტულ თეორიას.

სმბატ I ბაგრატუნი, სომხეთის მეფე 891—914.[4] იბრძოდა სომხ. განთავისუფლებისათვის სახალიფოს ბატონობისაგან. ს. I მოქმედებდა საქართველოსთან კავშირში და კარგად იყენებდა არაბ. და ბიზანტ. უთანხმოებას. განსაკუთრებით მძიმე იყო მისი ბრძოლა ატროპატენის (სამხრ. აზერბაიჯანი) მმართველ იუსუფ იბნ აბუ-ლ-საჯთან, რ-იც თვითონ იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. როდესაც სომხ. მთავრები (მ. შ. ვასპურაკანის მფლობელი გაგიკი) იუსუფის მხარეზე გადავიდნენ, ს. I დამარცხდა და იუსუფმა სიკვდილით დასაჯა ქ. დვინში.

გ. მაისურაძე.

სმბატ II (977—989), ანისის სომხური სამეფოს მეფე. მჭიდრო პოლიტ. ურთიერთობა ჰქონდა ტაოს ქართველ მეფესთან დავით III კურაპალატთან, რ-ის პოლიტ. გავლენა იმ დროს სხვა სომხ. სამეფო-სამთავროებსაც სწვდებოდა. მეზატიანის ცნობით, ს. II დავით კურაპალატთან ერთად მონაწილეობდა 978 ბაგრატ *III*-ის აფხაზთა და ქართველთა მეფედ კურთხევის საქმეში.

გ. მაისურაძე.

სმბატის სამართლის წიგნი, სომხური ფეოდალური სამართლის ძეგლი. შეადგინა სმბატ სპარაპეტმა, იგივე გუნდსტაბლმა (1208—76) კილიკიაში. ს. ს. წ. მოქმედებდა კილიკიის სომხეთში ასზე მეტ წელს როგორც სახელმწიფოს ოფიც. კოდექსი. მისი წყაროებია სომხ. საეკლ. კანონები, ჩვეულებითი სჯული და, ნაწილობრივ, *მხითარ გოშის სამართლის წიგნი*. ს. ს. წ. 7 განყ-ბისაგან შედგება, მოიცავს 202 მუხლს და ეხება როგორც მეფესა და მის ვასალებს, ისე ფეოდალებსა და ყმა-გლეხთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას, აგრეთვე სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართ. საკითხებს. სმბატი მეფის შეუზღუდველი ხელისუფლების მომხრეა, მეფე დგას უმაღლესი მართლმსაჯულების სათავეში. კოდექსში გამოხატულია საერო და საეკლ. ფეოდალების პრივილეგიები. სმბატი ცდილობდა კლასობრივი ბრძოლის შენელებას, მეფეს ავალებდა ღარიბების დაცვას მდიდრებისაგან. სომხ. სამართ. წიგნებიდან მხოლოდ ს. ს. წ-შია ნორმა, რ-ის მიხედვითაც ზედსიძე სიმამრის ქონების სრულუფლებიან მესაკუთრე-მემკვიდრედ ითვლება.

წყარო: Смбат Спарапет, Судебник, пер. с древнеарм. А. Г. Галстяна, Ер., 1958.

ლიტ.: Сукиасян А. Г., История Киликийского армянского государства и права (XI—XIV вв.), Ер., 1969.

გ. ნადარეიშვილი.

სმელა, ქალაქი უკრ. სსრ ჩერკასის ოლქში, მდ. ტიასმინის (დნეპრის შენაკადი) ნაპირზე. სმელის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. 68 ათ. მცხ. (1983). მანქანათსაშ., ელექტრომექან., სარემონტო, შაქრის, ლუდის ქ-ნები, რძის საკონსერვო კომბინატი, სამკერვალო, ავეჯის ფ-კები. კვების მრეწვ. ტექნიკუმი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სმელიაკოვი იაროსლავ ვასილის ძე [26. XII. 1912 (8. I. 1913), ქ. ლუცკი,— 27. XI. 1972, მოსკოვი], რუსი საბჭ. პოეტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1931. პირველი პოეტური კრებულები („შრომა და სიყვარული", „ლექსები") 1932 გამოსცა. ს-ის ძირითადი კრებულებია „კრემლის ნაძვები" (1948), „რჩეული ლექსები" (1957), „საუბარი მთავარზე" (1959), „რუსეთის დღე" (1967; სსრკ სახელმწ. პრემია, 1967), „დეკემბერი" (1970). მას ეკუთვნის პოემები „მკაცრი სიყვარული" (1956), „ახალგაზრდები" (1968), თარგმანები, კრიტ.-პუბლიც. წერილები. დაჯილდოებულია 3 ორდენით.

სმენა, ადამიანისა და ცხოველთა ფუნქცია, რ-იც უზრუნველყოფს ბგერითი რხევების აღქმას. ს. ხორციელდება მექან., რეცეპტორული და ნერვული სტრუქტურებით (იხ. *სმენის ორგანოები*), რ-ებიც სმენის ანალიზატორს წარმოქმნიან. ბგერის მოქმედებისას ადამიანში წარმოიშობა სპეციფ. სმენითი შეგრძნება, რ-იც ასახავს ბგერის პარამეტრებს — მის ინტენსივობასა და სიხშირეს.

ევოლ. პროცესში ს-ის ჩამოყალიბებული სისტემა პირველად მწერებში განვითარდა. იგი ყველა ხერხემლიანს აქვს და ყველაზე განვითარებული სახით წარმოდგენილია ძუძუმწოვრებში. ბგერითი ინფორმაციის დამუშავება მრავალეტაპიანი გზით ხდება. ბგერითი რხევები გარეთა ყურის სასმენი მილის საშუალებით დაჯის აპკამდე აღწევენ და სინქრონულად არხევენ მას. შუა ყურის სასმენი ძვლებით ეს რხევები გადაეცემა შიგნითა ყურის თხევად გარემოს (პერილიმფასა და ენდოლიმფას). აღძრული ჰიდრომექან. რხევები, თავის მხრივ, იწვევენ ლოკოკინას მემბრანის რხევას, რაც იწვევს ლოკოკინაში არსებული რეცეპტორების აგზნებას. ამასთან, დაბალი სიხშირის ბგერები იწვევენ ლოკოკინას მწვერვალში არსებული რეცეპტორების, ხოლო მაღალი სიხშირის ბგერები — ლოკოკინას ფუძეში მდებარე რეცეპტორების აგზნებას. რეცეპტორებში აღძრული აგზნება გატარდება სასმენ ნერვში. მასში აღმოცენებული ბიოელექტრული პოტენციალების გადაცემა ხდება ცენტრ. ნერვული სისტემის სმენის უბნებისაკენ (იხ. *სმენის ანალიზატორი*). ბგერითი სიგნალების აღქმა შეიძლება აგრეთვე ქალას ძვლების გზით გატარების შედეგად.

ს-ის შეფასება ხდება ან ფსიქოაკუსტიკური მეთოდებით (როდესაც ბგერის აღქმაზე მსჯელობენ სიტყვიერი ანგარიშისა და ვეგეტატიური ძვრების საფუძველზე), ან სმენის სისტემის ცალკეული უბნების ობიექტური შესწავლით (მაგ., სასმენი ნერვის ან სმენის სისტემის ცენტრ. უბნების ბიოელექტრული პოტენციალების შეფასებით). ს-ის ფსიქოაკუსტიკური მეთოდებით შემოწმებისას შეიძლება დადგინდეს აღქმის აბსოლ. ზღურბლი ბგერის ინტენსივობისათვის (*დბ*-ში) ან მისი სიხშირისათვის (*ჰც*-ში). ადამიანს შეუძლია აღიქვას ბგერები სიხშირეთა დიაპაზონში 10—20 *ჰც*-იდან 20 *კჰც*-მდე. 10—20 *ჰც*-ზე დაბალი სიხშირის ბგერებს ადამიანის ს-ის სისტემა უკვე ეელარ აღიქვამს უწყვეტ ბგერად (იხ. აგრეთვე *ინფრაბგერები*). ბგერის ინტენსივობის მხრივ აღქმის ზღურბლი დამოკიდებულია ბგერის სიხშირეზეც. მაგ., ყველაზე დაბალი ზღურბლი დამახასიათებელია ბგერებისათვის, რ-თა სიხშირე მოქცეულია 1—3 *კჰც*-ის დიაპაზონში. სხვადასხვა ცხოველს ბგერათა სიხშირის აღქმის სხვადასხვა უნარი აქვს. მაგ., თევზი აღიქვამს 50-იდან 100 *ჰც*-მდე, დელფინი — 100 *ჰც*-იდან 200 *კჰც*-მდე სიხშირის ბგერას. ს-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ბგერათა გარჩევა როგორც ინტენსივობის, ისე სიხშირის მიხედვით. ადამიანს შეუძლია გაარჩიოს ბგერები, რ-ებიც განსხვავდებიან 0,3—0,7 *დბ*-ით ინტენსივობის მხრივ და 2—6 *ჰც*-ით — სიხშირის მხრივ. ბგერის გარჩევის უნარი შეიძლება შემცირდეს სხვა ბგერის თანხლების შემთხვევაში (ბგერის შენიღბვა). ბგერის ხანგრძლივი მოქმედების შემთხვევაში ს-ის მგრძნობელობა მცირდება (იხ. *ადაპტაცია*). ს-ის საშუალებით შესაძლებელია აგრეთვე ბგერის წყაროს ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ბინაურული ეფექტი). ზოგიერთ ცხოველს (დამ'ურა, დელფინი) აქვს თავისებური ს. — ექოლოკაცია, რ-იც საშუალებას აძლევს მას ზუსტად დაადგინოს გარემოში საგნების ადგილმდებარეობა, ზომა, მასალა.. ეს ეფექტი დაკავშირებულია საგნებიდან არეკლილი ბგერების გარჩევის დიდ უნარზე.

ლიტ.: ძაძიშვილი ნ., რეცეპტორთა ფიზიოლოგია, თბ., 1964; Физиология сенсорных систем, ч. 2, М., 1972.

ა. ქორელი.

„სმენა", საკ. ალკა ცკ-ის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდის მოსკოვში თვეში 2-ჯერ. დაარსდა 1924 მუშა ახალგაზრდობისათვის, ამჟამად ახალგაზრდული მასობრივი ილუსტრირებული ჟურნალია. აქვეყნებს ლიტ. და პუბლიც., ნაწარმოებებს, რ-ებშიც მოთხრობილია სსაბჭ. და საზღვარგარეთის ახალგაზრდობის ცხოვრებაზე. დაჯილდოებულია „სპარტაკიო ნიშნის" ორდენით (1974). ტირაჟი 1,1 მლნ-ზე მეტი (1984).

სმენის ანალიზატორი, მექანიკური, რეცეპტორული და ნერვული სტრუქტურების ერთობლიობა, რ-იც უზრუნველყოფს ადამიანისა და ცხოველთა მიერ ბგერითი რხევების აღქმას.

ხერხემლიანი ცხოველების, მ. შ. ძუძუმწოვრების, ს. ა. შედგება გარეთა, შუა და შიგნითა ყურის, სასმენი ნერვისა და ცენტრ. განყ-ბებისაგან (კოქლეარული ბირთვები, ზედა ოლივის ბირთვები, ოთხგორაკის უკანა ბორცვები, შიგნითა დამუხლული სხეული, თავის ტვინის ქერქის სმენის უბანი). ზედა ოლივა თავის ტვინის პირველი წარმონაქმნია, სადაც ხდება ორივე ყურიდან მოსული ინფორმაციის კონვერგენცია. მარჯვ. და მარცხ. კოქლეარული ბირთვებიდან გამომავალი ბოჭკოები ორივე მხარეს მიემართებიან. ს. ა-ში მოიპოვება აგრეთვე დალმავალი (ეფერენტული) გამტარი გზები, რ-ებიც ტვინის უმაღლესი განყ-ბიდან მიდიან თვით ლოკოკინას რეცეპტორებამდე. ბგერების სიხშიროვანი ანალიზი უკვე ლოკოკინას ძგიდეზე იწყება (იხ. *ქორის ორგანო*), რ-იც წარმოადგენს მექან. სპექტრულ ანალიზატორს. ს. ა-ის ნერვული ელემენტები სიხშირის გარდა აანალიზებენ ბგერის ძალასა და ხანგრძლივობას. ამასთან ერთად, ს. ა-ის უმაღლესი განყ-ბების ნეირონები ბგერითი სიგნალების რთულ მახასიათებლებზეც (მაგ., ამპლიტუდური მოდულაციის გარკვეულ სიხშირეზე, სიხშიროვანი მოდულაციის მიმართულებაზე, ბგერის მოძრაობის მიმართულებაზე) რეაგირებენ. ცხოველების ს. ა-ის ცენტრ. განყ-ბების სხვადასხვა უბნის ექსპერიმენტული დაზიანება იწვევს ბგერითი სიგნალების სხვადასხვა მახასიათებლის გარჩევის უნარის დაქვეითებას, მაგ., ს. ა-ის ქერქული ზონის დაზიანებისას იზრდება ხანმოკლე (20 *წმ*-ს) ბგერების აღქმის ზღურბლი. მსგავსი დარღვევებია შემჩნეული ადამიანის ს. ა-ის ქერქული უბნების პათოლ. დაზიანების შემთხვევაშიც.

ა. ქორელი.

სმენის დაქვეითება, სმენის მცირე დაქვეითება, რ-იც აძნელებს მეტყველების აღქმას. ბავშვებს ხშირად უვითარდებათ მწვავე ან ქრონ. ოტიტის, ცხვირისა და ცხვირ-ხახის დაავადებების (მაგ., ადენოიდები) დროს. სმენის მკვეთრი დაქვეითების მიზეზია შუა ყურისა და კარიბჭე-ლოკოკინას ნერვში მიმდინარე პათოლ. პროცესები. ზოგჯერ შეინიშნება თანდაყოლილი ს. დ., რ-მაც ისევე როგორც ადრეული ბავშვობის ხანაში შეძენილმა ს. დ-მ, შეიძლება გამოიწვიოს მეტყველების განვითარების დარღვევა. მოზრდილ ადამიანებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს *ოტოსკლეროზი*, შუა ყურის სისხლით მომარაგების მოშლა, სასმენი ნერვის ასაკობრივი ცვლილებები და სხვ.

განარჩევენ ს. დ-ის 3 ხარისხს: მსუბუქი ს.. დ. — ჩურჩული აღიქმება 1—3 *მ* მანძილზე, ჩვეულებრივი მეტყველება— 4 *მ*-ზე მეტი მანძილიდან; საშუალო — ჩურჩული აღიქმება 1 *მ*-ზე ნაკლები, ხოლო ჩვეულებრივი მეტყველება 2—4 *მ* მანძილიდან; მძიმე — ჩურჩული არ აღიქმება, ჩვეულებრივი მეტყველება აღიქმება 2 *მ*-ზე ნაკლები მანძილიდან. ს. დ-ის დროს სმენის ორგანოში, როგორც წესი, მყარი ცვლილებები ხდება; მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია სმენის გაუმჯობესება კონსერვატული მკურნალობით ან ქირურგ. მეთოდებით; არსებით დახმარებას უწევს *სასმენი ხელსაწყოების* ხმარება და მეტყველების მზედველობითი აღქმის (ტუჩებიდან წაკითხვა) შესწავლა. *ს. ბეჩინაშვილი.*

სმენის ორგანოები, ადამიანისა და ცხოველთა ორგანოები, რ-ებითაც ხდება ბგერითი რხევების აღქმა და გაანალიზება. ს. ო-ს შეადგენენ სმენითი რეცეპტორი (ფონორეცეპტორი), ე. ი. მგრძნობიარე უჯრედი მასთან დაკავშირებული მგრძნობიარე ნერვული ტოტითურთ და არანერვული ნაწილები, რ-ებიც უზრუნველყოფენ ბგერითი რხევების რეცეპტორამდე გადაცემას. ს. ო. წარმოშობით დაკავშირებული არიან წონასწორობის ორგანოებთან და უმეტესად მათი გარდაქმნისა და გართულების შედეგია. უხერხემლო ცხოველთაგან მხოლოდ მწერებშია დადასტურებული რამდენიმე სახის ნამდვილი ს. ო-ს (ე. წ. ტიმპანური, ქორდოტონული, ჯონსტონისეული ორგანოები და სხვ.) არსებობა. ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის სმენისა და წ.ნასწორობის ორგანოთა ყური, რ-იც ინერვირდება თავის ტვინის VIII (წონასწორობა — სმენითი) წერვით. უმდაბლესი ხერხემლიანების შიგნითა ყურის აპკოვან ლაბირინთს აქვს პატარა გამონაზარდი, ე. წ. ლაგენა, რ-ის გართულებით ბუბუმწოვრებს (ნაწილობრივ ნიანგებსა და ფრინველებს) განუვითარდათ ლოკოკინა, სადაც არის საკუთრივ ს. ო-ს ე. წ. სპირალური ანუ *კორტის ორგანო.* შიგნითა ყურის გარდა ხმელეთის ხერხემლიანებს განუვითარდათ შუა ყური, ბუბუმწოვრებს კი — გარეთა ყურიც, რ-ებიც რხევების გადამცემ აპარატს შეადგენენ. საცხოვრებლად წყალში დაბრუნებულ (ვეშაპისნაირები, ფარფლფეხიანები) და ზოგ მხოხავ (უფეხო ამფიბიები, გველები) ცხოველს გარეთა და შუა ყური მეტ-ნაკლებად რედუცირებული აქვს. ს. ო-ით ბგერითი რხევების გარდა აღიქმება დაბალი სიხშირის დიაპაზონის მექან. (ვიბრაციული) გაღიზიანებებიც (უხერხემლოები, უმდაბლესი ქორდიანები, თევზები), ზოგჯერ კი ულტრაბგერითი რხევებიც (მაგ., ღამურების ექოლოკაციური სიგნალები). იხ. აგრეთვე *სმენა.* *ლ. ნათაძე.*

სმენის შეგრძნება, შეგრძნება, რ-იც გამოწვეულია სმენის რეცეპტორებზე პაერის ტალღების მოქმედებით, რ-თა რხევაა წუთში დაახლ. 16-იდან 24000-მდე. რეცეპტორი (ე. წ. კორტის ორგანო) წარმოადგენს შინაგან ყურში (ლოკოკინას ღრუში) გაჭიმულ აპკს („ძირითად მემბრანას"), რ-იც შედგება პარალელურად განლაგებული 24000 ბოჭკოსაგან. მათი სიგრძე თანდათან კლებულობს. პირველი (უგრძესი) ბოჭკო 12-ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე უკანასკნელი. ექსპერიმენტულად დასაბუთებული თეორიის თანახმად, თითოეული ბოჭკო ღიზიანდება მხოლოდ მისი შესატყვისი სიხშირის რხევის ტალღით, ე. ი. სათანადო სიმაღლის ბგერით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ტონსა და ხმაურს. თითოეულ ტონს ზუსტად გარკვეული სიმაღლე არა აქვს და უსასრულოდ მრავალსახოვანია. ტონებისათვის დამახასიათებელია ს ი მ ა ღ ლ ე, ს ი მ ძ ლ ა ვ რ ე (ინტენსივობა), ტ ე მ ბ რ ი, თ ვ ი ს ე ბ რ ი ო ბ ა („კვალიტეტი") და სხვ. ერთდროულად ჟღერადი ტონების შეგრძნება დამოკიდებულია მათი განმასაზღვრელი ტალღების შერევაზე, დამთხვევასა თუ განსვლაზე.

ლიტ.: ნ ა თ ა ძ ე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1977; А н а н ь е в Б. Г., Теория ощущений, Л., 1961; Handbuch der Psychologie in 12 Bänden, Bd. 1, Gött., 1966; K ö h l e r W., Akustische Untersuchungen. III, «Zeitschrift für Psychologie», 1915, Bd. 72.

რ. ნათაძე.

სმერდი, ფეოდალზე დამოკიდებულ გლეხთა კატეგორია ძვ. რუსეთში IX—XII სს., წყაროებში იხსენიება XI—XII სს-ში. მონისაგან განსხვავებით ს-ს ჰქონდა თავისი ქონება, გადაცდომისათვის იხდიდა ჯარიმას, იურიდიულად არასრულუფლებიანი იყო. ს-ის მკვლელობისათვის იგივე ჯარიმა იყო დაწესებული, რაც ხოლოპისათვის. XII—XIII სს-ში ს. კვლავ იხსენიება წყაროებში გალიჩ-ვოლინისა და ნოვგოროდის ამბების მატიანეში. ამ პერიოდში ტერმ. „ს." ზოგჯერ საერთოდ სოფლის მოსახლეობის აღმნიშვნელიც იყო.

სმეტანა (Smetana) ბედრჟიხ (2. III. 1824, ლიტომიშლი, — 12. V. 1884, პრაღა), ჩეხი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პრაღაში ი. პროქშთან. 1847-იდან გამოდიოდა როგორც პიანისტი. 1847—56 ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ მუს. სკოლას პრაღაში. 1856—61 ცხოვრობდა გეტებორგში, გამოდიოდა როგორც სიმფონიური დირიჟორი და პიანისტი. ამ წლებში შექმნა „6 სახასიათო პიესა" (2 რვეული, 1848) და „მოგონებები ჩეხიაზე პოლკის ფორმით" (ფორტეპიანოსათვის, 1860); სიმფ. პოემები „რიჩარდ III" (შექსპირის მიხედვით, 1858), „ვალენშტაინის ბანაკი" (შილერის მიხედვით, 1859) და „იარლ ჰაკონი" (ელენშლეგერის მიხედვით, 1861). 1862 მოღვაწეობდა პრაღაში როგორც სიმფ. და საგუნდო დირიჟორი, პიანისტი, წერდა მუს.-კრიტ. სტატიებს, ეწეოდა პედ. მოღვაწეობას; 1863-იდან ხელმძღვანელობდა მამაკაცთა გუნდს „გლაგოლ პრაჟსკის", და არტისტული კლუბის „უმელეციკა ბესედას" მუს. სექციას. 1866—74 იყო „დროებითი თეატრის" საოპერო დირიჟორი. დაწერილი აქვს 9 ოპერა, მ. შ. ისტ. -მუს. დრამა „ბრანდენბურგელები ჩეხიაში" (1863). ძალზე პოპულარულია ს-ს კომიკ. ოპერა „გაყიდული საპატარძლო" (1866, პრაღა; III რედაქცია 1870, პეტერბურგი), აგრეთვე ოპერა-ტრაგედია „დალიბორი" (1868).

სმენის დაკარგვის გამო ს-მ თავი დაანება სადირიჟორო მოღვაწეობას. ამ პერიოდში შექმნა თავისი საუკეთესო საორკესტრო ქმნილებები: პროგრამული სიმფ. პოემების ციკლი „ჩემი სამშობლო" (1874—79), ოპერები — „საიდუმლო" (1878), „ეშმაკის კედელი" (1882) და „ვიოლა" (დაუმთავრებელი, დაიდგა 1924); 2 სიმებიანი კვარტეტი (I — „ჩემი ცხოვრებიდან", 1876, II — 1883) და სხვ., კამერულ-საკრავიერი ნაწარმოებები, გუნდები, „ჩეხური სიმღერები" ფორტეპიანოსათვის (1879).

ს-ს შემოქმედება გამოირჩევა ეროვნ. თვითმყოფობითა და მაღალი ოსტატობით. მან განსაზღვრა ჩეხური მუსიკის განვითარების შემდგომი გზები. ს-ს სახელს ატარებს პრაღის საკონცერტო დარბაზი სიმებიანი კვარტეტი, მუს. საზ-ბა, რ-იც მისი თხზულებების სრულ კრებულს აქვეყნებს. პრაღაში არსებობს (1928-იდან) ს-ს მუზეუმი, რ-საც ფილიალები აქვს ლიტომიშლსა და იაბკენიცეში.

ლიტ.: Б е л з а И., История чешской музыкальной культуры, т. 2, М., 1973, гл. 3; М а р т ы н о в И., Бедржих Сметана, М., 1963.

სმეტონა ანტანას (10. VII. 1874, სოფ. უჟულენისი, ახლანდ. უკმერგეს რ-ნი, ლიტვ. სსრ, — 9. I. 1944, კლივლენდი, აშშ), ბურჟ. ლიტვ. პირველი პრეზიდენტი. 1926 მოახდინა ფაშისტური გადატრიალება და დაამყარა დიქტატორული რეჟიმი. 1940 გაიქცა ფაშისტურ გერმანიაში. მოგვიანებით ცხოვრობდა აშშ-ში.



ბ. სმეტანა.

სმიდოვიჩი პეტრე გერმოგენის ძე [7 (19). V. 1874, როგაჩოვი, ახლანდ. გომელის ოლქი, — 16. IV. 1935, მოსკოვი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1898-იდან. 1895 საზღვარგარეთ გაემგზავრა და უმაღლესი ელექტროტექ. სკოლა დაამთავრა პარიზში. 1902 იყო „*ისკრის*" *აგენტი,* 1903 — „ისკრის" ერთ-ერთი არალეგალური სტამბის ორგანიზატორი უმანში. 1905 დეკ. შეიარაღებული აჯანყების მონაწილე მოსკოვში. რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციისა და VI ყრილობის დელეგატი. ოქტ. რევ. დღეებში მოსკ. სამხ. რევკომის, შემდეგ სრულიად რუს. ცაკის, შემდეგ სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს წევრი. 1918 მოსკ. საბჭოს თავ-რე. 1919 მოსკ. გუბ. სახ. მეურნ. საბჭოს თავ-რე. პარტიის VIII, X—XVII ყრილობების დელეგატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. დაკრძალულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.



ვ. სმიდოვიჩი.

სმითი (Smith) ადამ (5. VI. 1723, კირკოლდი, შოტლანდია, — 17. VII. 1790, ედინბურგი), შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, „პოლიტიკური ეკონომიის მამა". სწავლობდა გლაზგოსა (1737—40) და ოქსფორდის (1740—46) უნ-ტებში. 1764—66 იმყოფებოდა საზღვარგარეთ, უმეტესად საფრანგეთში, სადაც დაუახლოვდა *ენციკლოპედისტებსა* და *ფიზიოკრატებს.* 1776 გამოაქვეყნა თავისი მთავარი შრომა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (ქართ. თარგმანი, თბ., 1937). ს-მა დაუშვა ობიექტური ეკონ. კანონების არსებობა და მათი შეცნობის შესაძლებლობა. ს. ითვლება თავისუფალი გაცვლისა და საერთოდ ეკონ. ლიბერალიზმის დოქტრინის ინიციატორად.

ს-მა პირველმა განსაზღვრა პოლიტ. ეკონ., როგორც მეცნიერების, ორადი ამოცანა: თეორ. და პრაქტ. შრომითი ღირებულების თეორია მიიჩნია კაპიტალ. ეკონ. ყველა მოვლენის გაგების საფუძვლად. ს-ნა უარყო ფიზიოკრატების შეხედულება სას.-სამ. შრომის განსაკუთრებულობის შესახებ. სამრეწვ. მოგებას თვლიდა არაშრომითი შემოსავლის ძირითად ფორმად. მაგრამ მან ვერ შეძლო *შრომითი ღირებულების თეორია* გამოეყენებინა განვითარებული კაპიტალ. წარმოების პირობებში, რადგან მის მიერ ჩამოყალიბებული თეორია ვერ ხსნიდა კაპიტალ. სინამდვილის ორ მნიშვნელოვან ფაქტს: შრომის (სამუშაო ძალის) ყიდვა-გაყიდვის დროს გაცვლის ეკვივალენტურობის დაცვასა და საშ. მოგების ჩამოყალიბების ტენდენციას. ს-მა წამოაყენა დოგმა თითქოს კაპიტალ. წარმოების პირობებში საქონლის ღირებულება ყალიბდება ამ საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული სამი ძირითადი შემოსავლისაგან: *ხელფასისაგან, მოგებისა* და *მიწის რენტისაგან.* ღირებულების ეს კონცეფცია საფუძვლად დაედო *წარმოების სამი ფაქტორის თეორიას.* მან ბურჟ. საზ-ბიდან გამოყო 3 ძირითადი კლასი (მიწათმოქმედთა, კაპიტალისტთა და მუშათა) და შეეცადა აეხსნა თითოეული მათგანის შემოსავლის განმსაზღვრელი კანონები. ს-ის აზრით, კაპიტალი ბუნებრივი და მარადიული კატეგორიაა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ *ძირითადი კაპიტალისა* და *საბრუნავი კაპიტალის* კატეგორიების გაგებას. იგი კაპიტალში ხედავდა ძალას, რ-იც ითვისებდა სხვისი შრომის ნაწილს და ამით დაუახლოვდა ზედმეტი ღირებულების მცნ. გაგებას. ს-მა კვლავწარმოების თეორიაში გამოჯნა მთლიანი და წმინდა *ეროვნული შემოსავალი,* თუმცა მან ფ.



ა. სმითი.



ი. სმილგისი.



ა. სმირანინი.



ა. სმირნოვი.



ბ. სმირნოვი.



ვ. ი. სმირნოვი (მათემატიკოსი).

კენეს კელავწარმოების თეორიასთან შედ რებით უკან გადადგა ნაბიჯი. იგი განასხვავებდა ბუნებრივი ფასისა და საბაზრო ფასის კატეგორიებს. საბაზრო ფასი, მისი განმარტებით, მოთხოვნა-მიწოდების გავლენით ყალიბდება. ს-მა პირველმა შემოიტანა პოლიტ. ეკონომიაში მოთხოვნის ორი კატეგორია: ნამდვილი მოთხოვნა (სყიდვითუნარიანი) და აბსოლ. მოთხოვნა (მოთხოვნილება). „თუ ბაზარზე მოტანილი საქონლის რაოდენობა სწორედ საკმარისია ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და მეტი არაა, მაშინ საბაზრო ფასი, რასაკვირველია, ან სრულიად ან დაახლოებით თანაემთხვევა ბუნებრივ ფასს“ (სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 66).

ს-ის ეკონ. კონცეფციები ორჭოფულია, მასში აღრეულია მეცნ. და ვულგ. ელემენტები. ს-ის ეკონ. მოძღვრების ვულგ. ელემენტები განავითარა *ჟ. სეიმ*, ხოლო მეცნიერული — დ. *რიკარდომ*, რ-მაც დაასრულა *კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის* — მარქსიზმის ერთერთი წყაროს—შექმნა. *ჯ. კაბნიაშვილი.*

სმითი (Smith) ელი (13. IX. 1801, ნორთფორდი, კონექტიკუტი,—11. I. 1857, ბეირუთი, სირია), ამერიკელი მისიონერი და ორიენტალისტი. 1831 ჰ. დუაიტთან ერთად იმოგზაურა აღმ-ში (მცირე აზია, ირანი, სომხეთი, საქართველო). 1838 ე. რობინსონს ახლდა ექსპედიციაში სინის მთასა და პალესტინაში. ს-მა და დუაიტმა მოგზაურობა დაიწყეს მალტიდან, გაიარეს კონსტანტინოპოლი, შემდეგ იყვნენ ყარსში, ანისში და სხვ. თბილისში დაყვეს 22 ივლ-იდან 5 აგვ-მდე. ს-ის ანგარიში ძირითადად მოგვითხრობს აღმ. ქვეყნების საეკლ. საქმეებზე, მაგრამ შეიცავს დაწვრილებით ცნობებს ამიერკავკ-ების, მ. შ. თბილისის შესახებაც, არის ცნობები ერეკლე II-ის შვილზე — ალექსანდრე ბატონიშვილზე, და სომხ. ეპისკოპოს ნერსესზე. შესავალში მოცემულია ისტ. ნარკვევი სომხ. შესახებ.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу. 1800—1830 гг., Т6., 1946.

სმითი (Smith) უილიამ (23. III. 1769, ჩერჩილი, ოქსფორდშირი, — 28. VIII. 1839, ნორთჰემპტონი), ინგლისელი გეოლოგი და გეოდეზისტი. ს-ის გამოკვლევათა შედეგად საფუძველი ჩაეყარა ისტ. გეოლ. და სტრატიგრაფიის მეცნ. დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბების საქმეს. ს-მა პირველმა გამოიყენა *საბელმიძღვანელო ნამარხები* სტრატიგრაფიული კორელაციისათვის. 1813—15 პირველმა შეადგინა ინგლ. გეოლ. რუკა, სადაც ქანები გამოყოფილი იყო ასაკის მიხედვით. ს-ის ნაშრომებმა შექმნა წინამძღვრები პალეონტოლოგიაში ეგოლ. იდეების განვითარებისათვის.

სმითი (Smith) ჯორჯ (26. III. 1840, ლონდონი, — 19. VIIJ. 1876, ჰალაბი, სირია), ინგლისელი ასირიოლოგი და არქეოლოგი. ბრიტ. მუზეუმში მუშაობდა გრავიორად. დამოუკიდებლად შეისწავლა ლურსმული დამწერლობა და მეცნიერ თანამშრომლად გადავიდა. ასურბანიფალის ფირფიტების ბ-კაში აღმოაჩინა მსოფლიო წარღვნის აქადური ვერსია, რ-იც შემდგომ საფუძვლად დაედო ბიბლ. ვერსიას. მანვე აღმოაჩინა გილგამეშის ეპოსი. 1873—76 ნინევიის გათხრებს ხელმძღვანელობდა.

თხზ.: History of Assurbanipal..., L., 1871; The Assyrian Eponym canon, L., [1875]; The Chaldean account of the deluge, L., [1873].

ლიტ.: Lloyd S., Foundation in the dust, [Bristol, 1955].

სმითის სრუტე (Smith Sound), სრუტე გრენლანდიის ჩრდ.-დას. ნაწილსა და კ. ელზმირის სამხრ. ნაწილს შორის. ბაფინის ზღვის, კეინისა და არქტიკული აუზების დამაკავშირებელი გასასვლელის უკიდურესი სამხრ. ნაწილი. მინ. სიგანე 46 *კმ*. ს. ს-ში ჩადის მყინვარები, რ-ებიც აისბერგებს წარმოქმნის. მთელი წლის მანძილზე ყინულით არის დაფარული. ს. ს. აღმოაჩინეს 1616 და სახელი ეწოდა ინგლ. მეზღვაურის ჯ. სმითის პატივსაცემად.

სმითსონის ასტროფიზიკური ობსერვატორია, სმითსონის ინსტიტუტის ასტროფიზიკური ობსერვატორია, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ვაშინგტონში (აშშ). დაარსა ამერ. ასტროფიზიკოსმა ს. ლენგლიმ 1890 მზის რადიაციის შესწავლის მიზნით. 1907—44 ჩ. აბოტის ხელმძღვანელობით აქ რამდენიმე ათეულ-ათასჯერ გაზომეს მზის მუდმივა. 40-იანი წლებიდან განვითარდა აგრეთვე თეორ. ასტროფიზ. და სათანამგზავრო გეოდ. დარგები. ობსერვატორია გამოსცემს შრომებს.

სმითსონიტი [ინგლ. მინერალოგის ჯ. სმითსონის (J.Smithson, 1765—1829) გვარის მიხედვით], კარბონატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Zn[CO_3]$. მინარევებია Fe, Mn, Cd, Co, Mg, Pb. კრისტალდება ტრიგონურ სინგონიაში. კრისტალები იშვიათია. გეხვდება მარცვლოვანი და მიწისებრი აგრეგატების სახით. თეთრი, ყვითელი, ნაცრისფერი ან მურაა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 4,5; სიმკვრივე 4300—4400 *კგ/მ*^{3}. წარმოიქმნება თუთიის სულფიდური საბადოების დაჟანგვის ზონაში. თუთიის ერთერთი მადანია.

სმილგისი ედუარდ [10 (22). XI. 1886, რიგა, — 19. IV. 1966, იქვე], ლატვიელი საბჭ. რეჟისორი, მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1948). 1911-იდან იყო რიგის ახალი, 1915—19 კი პეტროგრ. ლატვ. თეატრის მსახიობი. 1920—64 რიგის ი. რაინისის სახ. სამხატვრო თეატრის მსახიობი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგა სპექტაკლები: რაინისის „ცეცხლი და ღამე“ (1947, სსრკ სახელმწ. პრემია, 1947), გოეთეს „ფაუსტი“ (1940), გორკის „ეგორ ბულიჩოვი და სხვები“ (1946), „ანა კარენინა“ (ლ. ტოლსტოის მიხედვით, 1949), შილერის „მარიამ სტიუარტი“ (1956), შექსპირის „ჰამლეტი“ (1959), ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“ (1964) და სხვ. ს-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: პერ გიუნტი (იბსენის „პერ გიუნტი“), ჰამლეტი, კეისარი, პეტრუჩო (შექსპირის „ჰამლეტი“, „იულიუს კეისარი“, „ჭირვეულის მორჯულება“), დონ კარლოსი (შილერის „დონ კარლოსი“) და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სმირანინი ანატოლი დიმიტრის ძე [11 (23). XII. 1892, ოდესა, — 15. II. 1971, თბილისი], რუსი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1946). 1910-იდან მოღვაწეობდა ტაგანროგის, უფის, პენზის, დონის როსტოვის, ურალისა და სხვ. თეატრებში; 1917—19 — ოდესაში, ამხანაგობა „რუსულ დრამაში“, 1920—22— საზღვაო ძალების პოლიტსამმართველოს თეატრში, შემდეგ სოხუმის, ბათუმისა და სხვ. თეატრებში. 1936-იდან თბილ. გრიბოედოვის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობი. გამოირჩეოდა ჭეშმარიტი არტისტიზმით, დიდი სცენური ტემპერამენტით. მნიშვნელოვანი როლები: ზაბელინი (პოგოდინის „კრემლის კურანტები“), გიორგი საკაძე (ი. ვაკელის „გიორგი საკაძე“), პოლკოვნიკი ტალბერგი (ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები“) და სხვ. 1916-იდან იღებდნენ კინოში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

შ. ცუცქირიძე.

სმირნა (Smyrnē), თურქეთის ქალაქ *იზმირის* ძველბერძნული სახელწოდება.

სმირნენსკი ხრისტო (ნამდვ. სახელი და გვარი ხრისტო დიმიტროვ ი ზ მ ი რ ლ ი ე ვ ი) [17 (29). IX. 1898, კუკუში, — 18. VI. 1923, სოფია], ბულგარელი პოეტი. ბულგ. კომპარტიის წევრი 1921-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1915-იდან. თანამშრომლობდა იუმორისტულ ჟურნალებსა და კომუნისტურ გამომცემლობებში. ბულგ. ლიტ-რაში პირველმა შექმნა პროლეტარ-რევოლუციონერის სახე. ს-ს ეკუთვნის ოქტ. რევ. და სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი ლექსები „წითელი ესკადრონები“ (1920), „მოსკოვი“ (1921) და სხვ. დახატა ბურჟ. საზ-ბის მსხვერპლთა მთელი გალერეა („მოხუცი მუსიკოსი“, „გავროშის ძმები“, ორივე 1921, და სხვ.). ავტორია კრებულისა „და იქმენინ დღე“ (1922).

სმირნოვა ლიდია ნიკოლოზის ასული [დ. 31. I (13. II). 1915, მოსკოვი], საბჭ. კინომსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1974). სკკპ წევრი 1952-იდან. 1938 დაამთავრა მოსკ. თეატრ. სასწავლებელი. მის რეპერტუარშია ლირ., სახასათო და კომედიური როლები. მათგან აღსანიშნავია: შურა („ჩემი სიყვარული“, 1940), ფენია („ის იცავს სამშობლოს“, 1943), სმადი („მათ აქვთ სამშობლო“, 1950), იულია („ტყიდან გამოვიდნენ სამნი“, 1958), მაჭანკალი („ბალზამინოვის ქორწინება“, 1965), დუსკა („სოფლის დეტექტივი“, 1969) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სმირნოვი ალექსი სემიონის ძე [დ. 25. I (7. II). 1917, სოფ. პალცევო, რამეშკის რ-ნი, კალინინის ოლქი), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (28. IX. 1943 და 23. II. 1945), პოლკოვნიკი (1952). სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა პილოტთა სამხ.-საავიაციო სკოლა (1938). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იყო 153-ე გვარდიის გამანადგურებელი საავიაციო პოლკის რგოლის მეთაური და ესკადრილიის მეთაურის მოადგილე, 1943 ოქტ-იდან — 28-ე გვარდიული გამანადგურებელი საავიაციო პოლკის ესკადრილიის მეთაური, შემდეგ ამავე პოლკის მეთაურის მოადგილე. ჩაატარა 457 საბრძოლო გაფრენა, 72 საჰაერო ბრძოლა, ჩამოაგდო 34 თვითმფრინავი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 8 სხვა ორდენითა და მედლებით.

სმირნოვი ბორის ალექსანდრეს ძე [13 (26). X. 1908, პეტერბურგი, — 19. XII. 1982, მოსკოვი], რუკი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1963). სწავლობდა ლენინგრ. სცენური ხელოვნ. ინ-ტში (1925—29). 1929—42 იყო ლენინგრ. თეატრ-სტუდიის მსახიობი (1939-იდან ლენსოვეტის სახ. თეატრი), 1943—50 — ლენინგრ. კომედიის თეატრისა, 1950—55 — მოსკ. პუშკინის სახ. თეატრისა. 1955-იდან მოღვაწეობდა მოსკ. სამხატვრო აკად. თეატრში. აღსანიშნავია კლასიკური რეპერტუარიდან შესრულებული როლები: პარატოვი (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), რომეო, ჰამლეტი (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „ჰამლეტი“), ივანოვი (ჩეხოვის „ივანოვი“), ივანე კარამაზოვი („ძმები კარამაზოვები“ დოსტოევსკის მიხედვით). მოსკ. სამხატვრო აკად. თეატრში შექმნა ლენინის სახე სპექტაკლებში პოგოდინის „კრემლის კურანტები“ (1956), შატროვის „ექსკი ივლისი“ (1965) და სხვ. ლენინის სახე განასახიერა აგრეთვე ფილმებშიც. ლენინური პრემიის ლაურეატი (1959). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

სმირნოვი გიორგი მიხეილის ძე [17 (29). XII. 1876, თბილისი, — 27. VI. 1964, იქვე], საბჭ. გეოლოგი, კავკასიის მკვლევარი, პროფესორი (1926), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1943). 1900 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი. 1929—57 მუშაობდა კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტში (1932—47 იყო მინერალოგიისა და პეტროგრაფიის განყ-ბის გამგე). 1919—56 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ვ. ი. ლენინის

სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. ს-მა ა. *თვალჭრელიძესთან* ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართვ. ტერიტ. სისტემურ პეტროგრაფიულ კვლევას და საქართველოში პეტროგრაფების კადრების აღზრდის საქმეს.

თხზ.: Геологическое описание части Рачинского уезда Кутаисской губернии, «Материалы для геологии Кавказа», 1909, сер. III, жи. 7. *ვ. ჯაფარიძვილი.*

სმირნოვი ვლადიმერ ივანეს ძე [29. V (10. VI). 1887, პეტერბურგი, — 11. II. 1974, ლენინგრადი], საბჭ. მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943), სოციალ. შრომის გმირი (1967). დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი (1910), პროფესორი იქვე (1915-იდან). 1929—35 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. სეისმოლოგიისა და მათ. ინ-ტებში. ძირითადი შრომები აქვს კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიაში. მრავალ გამოკვლევაში დაამუშავა (ს. *სობოლევთან* ერთად) ბრტყელ-საზღვრიან უწყვეტ გარემოში ტალღების გავრცელების ამოცანების ამოხსნის ახ. წეთოდები. შეისწავლა ნებისმიერი რაოდენობის ცვლადიანი წრფივი ელიფსური ტიპის განტოლებების ფუნქციონალურ-ინვარიანტული ამონახსნები. ნაშრომისათვის „უმაღლესი მათემატიკის კურსი“ (ტ. 1—5; 1924—47) 1948 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Владимир Иванович Смирнов, М.—Л., 1949 (Материалы к биобиблиографии ученых СССР. Серия математики, в. 5).

სმირნოვი ვლადიმერ ივანეს ძე [დ. 18 (31). I. 1910], მოსკოვი, საბჭ. გეოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1962), სოციალ. შრომის გმირი (1980). სკკპ წევრი 1940-იდან. 1934 დაამთავრა მოსკ. გეოლ.-საძიებო ინ-ტი. 1934—51 მუშაობდა სხვადასხვა გეოლ. საწარმოო და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებში. 1951-იდან მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი, 1952-იდან ამავე უნ-ტის სასარგებლო წიაღისეულის კათედრის გამგე. 1969—75 სსრკ მეცნ. აკად. გეოლ., გეოფიზ. და გეოქიმ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და სსრკ მეცნ. აკად პრეზიდიუმის წევრი. ს-ის ძირითადი შრომები ეხება სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლ. საკითხებს. ლენინური პრემია (1972). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით. ს-ის სახელი ეწოდა მინერალს—ვ ი ს მ ი რ ნ ო ვ ი ტ ი — $ZnSn(OH)_6$.

თხზ.: Геология полезных ископаемых, 4 изд., М., 1982.

სმირნოვი ლეონიდ ვასილის ძე [დ. 3 (16). IV. 1916, კუზნეცკი, ახლანდ. პენზის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1961). სკკპ წევრი 1943-იდან. დაამთავრა ნოვოჩერკასკის ინდუსტრ. ინ-ტი (1939). შრომითი საქმიანობა დაიწყო 1930, ელექტრომონტიორად მუშაობდა დონის როსტოვში. 1939—61 სსრკ შეიარაღების სამინისტროს სისტემაში იყო (საამქროს უფროსი, თბოელექტროცენტრალის უფროსი, მთავარი ენერგეტიკოსი, სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, ქ-ნის დირექტორი, თავდაცვის ტექ. სახელმწ. კომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსი). 1961—63 სსრკ მინისტრთა საბჭოს თავდაცვითი ტექ. სახელმწ. კომიტეტის თავ-რის მოადგილე, თავ-რე — სსრკ მინისტრი. 1963 მარტიდან, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე. სკკპ XX, XXII,—XXV ყრილობების დელეგატი, 1961-იდან სკკპ ცკ-ის წევრი. სსრკ VI—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ლენინური პრემიის ლაურეატი (1960). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სმირნოვი სერგეი სერგეის ძე [4 (16). IX. 1895, ივანოვო-ვოზნესენსკი, ახლანდ. ივანოვო, — 20. VIII. 1947, ლენინგრადი], საბჭ. გეოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). 1919 დაამთავრა პეტროგრ. სამთო ინ-ტი. 1919—41 იყო გეოლ. კომიტეტის თანამშრომელი, 1930-იდან — აგრეთვე ლენინგრ. სამთო ინ-ტის პროფესორი. 1945-იდან ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტის მადნეულთა განყ-ბას. ს-ის ძირითადი შრომები ეხება მადნეულ საბადოთა მინერალოგიის და მადანთწარმოქმნის საკითხებს. დაამუშავა მოძღვრება პიდროთერმულ საბადოთა ზონალურობისა და მაგმატიზმთან ამ ტიპის გამადნების კავშირის შესახებ. სსრკ სახელმწ. პრემია (1946). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, აგრეთვე სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Избр. труды, М., 1955; Зона окисления сульфидных месторождений, М., 1951.

სმირნოვი სერგეი სერგეის ძე [13 (26). IX. 1915, პეტროგრადი, — 22. III. 1976, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1946-იდან, სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი (1975 — 76). გაზ. „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი (1959 — 60). ს-ს ეკუთვნის ნარკვევთა წიგნები („სტალინგრადი დნეპრზე“, 1954; „იტალიაში“, 1961 და სხვ.). წიგნისათვის „ბრესტის ციხესიმაგრე“ (1957, შევსებული გამოცემა 1964) მიენიჭა ლენინური პრემია (1965). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სმისლოვი ვასილი ვასილის ძე (დ. 24. III. 1921, მოსკოვი), საბჭ. მოჭადრაკე. სსრკ დიდოსტატი (1941), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1948), საერთაშ. დიდოსტატი (1950). მსოფლიოს მე-7 ჩემპიონი (1957—58). 3 მატჩი ჩაატარა მ. ბოტვინიკთან მსოფლიო პირველობაზე: 1954 ყაიმით დაამთავრა—12 : 12(+7; —7;=10), 1957 მოიგო—12,5 : 9,5 (+6; —3; =13), 1958 წააგო—10,5 : 12,5(+5; —7; =11). სსრკ ჩემპიონი (1949, 1955); 1953, 1956 გაიმარჯვა პრეტენდენტთა ტურნირებში. 9-ჯერ მიიღო მონაწილეობა საბჭ. ნაკრების შემადგენლობაში, საჭადრაკო ოლიმპიადებში. 1984 პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში დამარცხდა გ. კასპაროვთან. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

თხზ.: Избр. партии, М., 1952; В поисках гармонии, М., 1979; Теория ладейных окончаний, 2 изд., М., 1959 (თანაავტ.: Г. А. Левенфиш).

ლიტ.: გ ი ო რ გ ა ძ ე თ., ბრძოლა საჭადრაკო გვირგვინისათვის, თბ., 1980.

თ. გიორგაძე.

სმის ცენტრი, თავის ტვინის სტრუქტურების ერთობლიობა, რ-ებიც არეგულირებენ *წყურვილისა* და სმის რეაქციებს. ს. ც-ის აგზნება და შეკავება განპირობებულია ორგანიზმის შინაგანი გარემოს ფიზ.-ქიმ. მდგომარეობით და სიგნალებით, რ-ებიც მოემართებიან ექსტერო- და ინტერორეცეპტორებიდან. ს. ც-ის ცალკეული სტრუქტურები განლაგებულია *ჰიპოთალამუსში, ლიმბურ სისტემაში, თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში*. ს. ც. მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის რეგულაციაში. მისი ცალკეული სტრუქტურების დაზიანებამ შეიძლება გააძლიეროს წყურვილი (ჰიპერდიფსია) ან დათრგუნოს იგი (ჰიპო- და ადიფსია). დიდი მნიშვნელობა აქვს ქერქულ ნაწილებს, სადაც ყალიბდება რთული რეფლექსური რეაქციები, რ-ებიც არეგულირებენ წყლის შეღწევას ორგანიზმში. ს. ც. მჭიდროდაა დაკავშირებული *კუჭის ცენტრთან*.

სმოლენსკი, ქალაქი, რსფსრ სმოლენსკის ოლქის ცენტრი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ნავმისადგომი მდ. დნეპრზე. გზირი ქალაქი. 321 ათ. მცხ. (1983). ცნობილია 863-იდან. XII ს-იდან სმოლენსკის სამთავროს ცენტრია. 1404—1514 იყო ლიტვის დიდი სამთავროს, შემდეგ მოსკ. სახელმწიფოს, 1611—67 — რეჩ პოსპოლიტის შემადგენლობაში. 1708-იდან საგუბერნიო ქალაქია. 1890-იანი წწ. შუა ხანებში ს-ში შეიქმნა მარქსისტული წრეები; 1900 ს-ში რამდენჯერმე იყო ვ. ი. ლენინი. 1902 შეიქმნა რსდმპ სმოლენსკის კომიტეტი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 31 ოქტ. (13 ნოემბ.). 1941 წ. 16 ივლ-იდან 1943 წ. 25 სექტემდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. 1941 ქალაქის მისადგომებთან გაიმართა დიდი ბრძოლა, რ-მაც 3 თვით შეაჩერა მტრის შეტევა მოსკოვზე. ქალაქი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (1966), ლენინის ორდენით (1984) და მედლით „ოქროს ვარსკვლავი“ (1985).

ს-ში განვითარებულია მანქანათსაშ. და მსუბუქი მრეწვ. (ავტომატიკის საშუალებათა, ელექტრონათურების, მაცივრების, რადიოდეტალების, გამოთვლითი მანქანების, საავიაციო, ავტოაგრეგატული, საგზაო მოწყობილობის საცდელ-ექსპერ. ქ-ნები, პოლიგრ. კომბინატი, წინდა-სატრიკოტაჟო ფ-კა და სხვ.).

ქალაქში 2 ადმ. რ-ია: სამრეწველო (მდინარის მარცხ. ნაპირზე ქალაქის ძვ. ნაწილითურთ) და დნეპრსგაღმა რ-ნი. ს-ის ისტ. ცენტრს გარს უვლის ციხესიმაგრის კოშკებიანი გალავანი (1595—1602, ოსტატი თ. კონი), მას თავს დასცქერის მაღალ გორაკზე აღმართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი (მ. შ. მიძინების ტაძარი, 1677—79, არქიტ. ა. კოროლკოვი; გადაკეთებულია 1732—40, არქიტ. ა. შედელი, ბაროკო). 1812-ის შემდეგ ს. შენდებოდა გეგმით (დამტკიცდა 1818). არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია: პეტრე-პავლესა (1146, გადაკეთებულია 1753—57, რესტავრირებულია 1962—63) და იოანე ღვთისმეტყველის (XII ს., გადაკეთებულია XVIII ს-ში) ეკლესიები. საბჭ. პერიოდში შემუშავდა გენ. გეგმა (1930-იანი წწ., არქიტ. ნ. კონდრატენკო) აშენდა საბჭოების სახლი (1932, არქიტ. ს. ილინსკაია, გადაკეთებულია 1946—54, არქიტ. ვ. იაროშევსკი). ომის შემდეგ შემუშავდა ქალაქის აღდგენისა და განვითარების გეგმა (1944—46, არქიტ. გ. გოლცი და სხვ.). ახ. გენ. გეგმა (1969, არქიტ. მ. ნაუმოვი და სხვ.) ითვალისწინებს ისტ. ცენტრის შენარჩუნებას და ძირითადი მაგისტრალების რეკონსტრუქციას. აშენდა ახ. საცხოვრ. რ-ნები და საზ. შენობები. ქალაქში ბევრი ძეგლია: სმოლენსკის გმირი დამცველებისა 1812 წ. 4—5 აგვისტოს (თუჯი, 1841, არქიტ. ა. ადამინი), 1812 წ. სამამულო ომის გმირთა (ქვა, ბრინჯაო, 1912—13, არქიტ. ნ. შუცმანი), ვ. ი. ლენინის (გრანიტი, 1967, მოქანდაკე ლ. კერბელი, არქიტ. ბ. თხორი), მემორიალი „უკვდავების ყორღანი“— ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში დალუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად (გრანიტი, 1970,



ვ. ი. სმირნოვი (გეოლოგი).




ს. ს. სმირნოვი (გეოლოგი).



ს. ს. სმირნოვი (მწერალი).



ვ. სმისლოვი.



სმოლენსკი. მემორიალი „უკვდავების ყორღანი“. გრანიტი. 1970. არქიტექტორი დ. კოვალენკო, მოქანდაკე ა. სერგეევი.



ტ. ჯ. სმოლეტი.



ნ. სმოლიჩი.



მ. სმოლუხოვსკი.



ი. სმოქტუნოვსკი.

არქიტ. დ. კოვალენკო, მოქანდაკე ა. სერგეევი) და სხვ.

ს-ში არის სამედ., პედ. და ფიზკულტ. ინ-ტები, მოსკ. ენერგეტ. ინ-ტის, მოსკ. სას.-სამ. აკად. და საკავშ. დაუსწრებელი საფინანსო-ეკონ. ინ-ტის ფილიალები, 14 საშ. სპეც. სასწავლებელი, მუზეუმები, დრამ. და თოჯინების თეატრები.

სმოლენსკის ბრძოლა 1812, რუსეთის ჯარის თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებები ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ 4—6 (16—18) აგვ. 1812 სამამულო ომის დროს. მცირე ხნით შესვენების შემდეგ ნაპოლეონის მთავარმა ძალებმა (დაახლ. 200 ათ. კაცი) სმოლენსკის ხელში ჩაგდებისა და რუს. 1-ელი და მე-2 არმიების ზურგში გასვლის მიზნით აგვ. დასაწყისში გააახლეს შეტევა. გენ. დ. ნეველროვსკის რაზმმა 2 (14) აგვ. კრასნისთან ერთი დღე-ღამით შეაჩერა, ხოლო 4(16) აგვ. გენ. ნ. რაევსკის კორპუსმა უკუაგდო ფრანგთა ავანგარდის შეტევები. 4 (16) აგვ. საღამოსათვის სმოლენსკის ჩრდ-ით განლაგდა რუს. 1-ელი და მე-2 არმიები (დაახლ. 120 ათ. კაცი). არმიის შენარჩუნების მიზნით მთავარსარდალმა გენ. მ. ბარკლაი-დე-ტოლიმ გადაწყვიტა სმოლენსკის დატოვება. მე-2 არმიამ უკან დაიხია მოსკ. გზატკეცილით, ხოლო 1-ლი არმია უზრუნველყოფდა უკან დახევას. 5 (17) აგვ. რუს. ჯარები მედგრად იცავდნენ ცეცხლმოდებულ სმოლენსკს. ს. ბ-ში ფრანგებმა დაკარგეს 20 ათ. კაცი, რუსებმა — 10 ათ.

სმოლენსკის ბრძოლა 1941, დასავლეთის, სარეზერვო, ცენტრალური და ბრიანსკის ფრონტების ჯარების თავდაცვითი და შეტევითი მოქმედება გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ (10 ივლ.— 10 სექტ.) დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით დიდი სამამულო ომის (1941—45) დასაწყისში. მიზნად ისახავდა არ დაეშვა გერმ. ფაშისტთა ჯარების გაჭრა მოსკოვისაკენ. გერმ. ფაშისტთა ჯარების მთავარსარდლობამ არმიათა ჯგუფს „ცენტრს" (51—62,5 დივიზია, გენ.-ფელდმარშალი ფ. ბოკი) ამოცანად დაუსახა საბჭ. ჯარების გარემოცვა, ვიტებსკის, ორშის, სმოლენსკის აღება და ამით მოსკოვზე შეტევისათვის გზის გახსნა. 10 ივლ. მტრის მე-3 და მე-2 სატანკო ჯგუფებმა წამოიწყეს შეტევა ველიკიე-ლუკის, სმოლენსკის, როსლავლის მიმართულებით და შეძლეს დასავლეთის ფრონტის მცირერიცხოვანი ჯარების დამარცხება და სმოლენსკის აღება. 28 ივლ. სმოლენსკის აღმ-ით გერმ. ფაშისტთა ჯარები გარს შემოერტყნენ მე-16 და მე-20 არმიებს, რ-ებმაც 6 აგვ-თვის გენ. კ. *როკოსოვსკის* ჯარების ჯგუფის დახმარებით შეძლეს გარემოცვიდან გამოსვლა. გერმ. ჯარების შემდგომი წინსვლა შეაჩერეს საბჭ. ჯარების კონტრდარტყმებმა, რამაც ერთდროულად საშიშროება შეუქმნა არმიათა ჯგუფის „ცენტრის" ფლანგებს. აგვ. დასაწყისში მტერი იძულებული გახდა თავდაცვაზე გადასულიყო. გერმ. მე-2 სატანკო ჯგუფი და მე-2 არმია იძულებული გახდნენ შეტევა სამხრ-ით ცენტრ. ფრონტის ჯარების წინააღმდეგ წარემართათ. სექტ. დასაწყისში სარეზერვო ფრონტის 24-ე არმიამ ელნიას რ-ში გაანადგურა მტრის დაჯგუფება. ს. ბ. იყო სსრკ-ის წინააღმდეგ ელვისებური ომის ჩაფუშვის მნიშვნელოვანი ეტაპი. სმოლენსკის რ-ში მტრის 2,5 თვით შეჩერებამ საშუალება მისცა საბჭ. ჯარებს შეექმნათ მოსკ. მიმართულებით ღრმად ეშელონირებული მრავალზოლიანი თავდაცვა.

სმოლენსკის ოლქი, რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1937 წ. 27 სექტ. ფართ. 49,8 ათ. კმ². მოსახლ. 1134 ათ. კაცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 65%. ცენტრი — ქ. სმოლენსკი.

ს. ო. მდებარეობს აღმ. ევრ. ვაკეზე, მდ-ების დნეპრის, დას. დვინისა და ვოლგის აუზის ზემოთში, რელიეფი მყინვარული წარმოშობის ბორცვიან-ტალღოვანი ვაკეა. ოლქის უმაღლესი წერტილია ვიაზმის მაღლობზე (319 მ). მთავარი მდ-ებია: დნეპარი შენაკადებით — დესნითა და სოჟით, ვაზუზა და უგრა (ვოლგის აუზი), კასპლია (დასავლეთის დვინის აუზი). ს. ო-ში იღებენ მურა ნახშირს, ტორფს, კირქვასა და სხვა საშენ მასალას.

განვითარებულია მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., ხელსაწყოთსაშენი, ქიმ., მსუბუქი და კვების მრეწველობა. საკავშ. და რესპ. მნიშვნელობა აქვს ავტომატიკის საშუალებათა, გამოთვლითი მანქანების, საყოფაცხოვრებო მაცივრების, ელექტრონათურების, მინერ. სასუქების, თეთრეული ტრიკოტაჟის, სელის ქსოვილებისა და სხვ. წარმოებას.

სოფ. მეურნეობაში განვითარებულია მესელეობა, მეკარტოფილეობა, სარძეო-სახორცე მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეცხვარეობა. სანაოსნოა მდ. დნეპარი.


სმოლენსკის ოპერაცია 1943, დასავლეთის ფრონტისა (სარდალი გენ.-პ. ვ. სოკოლოვსკი) და კალინინის ფრონტის (სარდალი არმიის გენ. ა. ერიომენკო) მარცხ. ფრთის შეტევითი ოპერაცია 7 აგვ.— 2 ოქტ. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. ორივე ფრონტის ჯარებს (1253 ათ. კაცი) 1943 ზაფხულ-შემოდგომის კამპანიაში ამოცანად ჰქონდათ დასახული შეტევა დასავლეთის (სმოლენსკის) მიმართულებით და არმიათა ჯგუფის „ცენტრის" (850 ათ. კაცი. სარდალი გენ.-ფელდმარშალი ჰ. კლუგე) მარცხ. ფრთის განადგურება. 7 აგვ. შეტევაზე გადავიდნენ დასავლეთის ფრონტის ჯარები. გაათავისუფლეს სპას-დემენსკი, ელნია, დოროგობუჟი, იარცევო და სმოლენსკის რ-ნში სამხრ-იდან შემოერტყნენ მტრის დაჯგუფებას. 13 აგვ. შეტევა წამოიწყეს კალინინის ფრონტის მარცხ. ფრთის ჯარებმა, ხელთ იგდეს დუხოვშჩინა, დემიდოვო და სმოლენსკის რ-ნში ჩრდ-იდან შემოერტყნენ მტრის დაჯგუფებას. მტერმა უკან დახევა დაიწყო. 25 სექტ. გაათავისუფლეს სმოლენსკი და როსლავლი. საბჭ. ჯარებმა წინ წაიწიეს 225 კმ-ით. ს. ო-ის მსვლელობისას საბჭ. ჯარებმა გაანადგურეს 7 და დაამარცხეს მტრის 15 დივიზია.

სმოლენსკ-მოსკოვის მაღლობი, მაღლობი რსფსრ-ში, გადაჭიმულია ქ. ორშიდან მდ-ების ნერლისა და კოლოქშის სათავეებამდე. სიგრძე 680 კმ, სიმაღლე 320 მ-მდე. უმთავრესად აგებულია კირქვებით (აღმ.) და მყინვარული ნალექებით (დას.). დასერილია დესნის, დნეპრის (დას.), ოკისა და ვისლის (აღმ.) შენაკადებით. რელიეფი ძირითადად ბორცვიან-მყინვარულია. შემოსილია ტყით (არყი, ვერხვი, ნაძვი).

სმოლეტი, სმოლიტი ((Smollet) ტობაიას ჯორჯ (III. 1721, დალკჰორნი, დამბარტონშირი, — 17. IX. 1771, ლივორნო), ინგლისელი მწერალი. პირველი ტრაგედია „მეფეთმკვლელობა" (1739, გამოქვეყნდა 1749) შეუმჩნეველი დარჩა. განმანათლებლობის ეპოქაში ფურაღლება მიიპყრო რომანებით „როდერიკ რენდომის თავგადასავალი" (1748), „პერიგრინ პიკლის თავგადასავალი" (1751), რ-ებშიც მწერალი იყენებდა კარიკატურას, გროტესკს, იუმორს. მასვე ეკუთვნის რომანები „გრაფ ფერდინანდ ფეთომის თავგადასავალი" (1753), „სერ ლანსელოტ გრივზის თავგადასავალი" (1762), ეპისტოლური რომანი „ჰამფრი კლინკერის მოგზაურობა" (1771). ს. წერდა აგრეთვე ისტ. შრომებს, ლექსებს, სატირულ ნაწარმოებებს, მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, თარგმნიდა ფრანგ და ესპ. ავტორებს. *ნ. ბადრიაშვილი.*

სმოლიანის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული სამხრ. ბულგარეთში, როდოპის მთებში. ფართ. 3,ჩ ათ. კმ². მოსახლ. 169 ათ. კაცი (1978). ადმ. ც. — ქ. სმოლიანი. მეურნეობა ინდუსტრ. ხასიათისაა. მთავარი დარგებია: ტყვია-თუთიის მადნის მოპოვება და გამდიდრება, ხე-ტყის მრეწვ., ჰიდროენერგეტიკა. მოჰყავთ თამბაქო, კარტოფილი, განვითარებულია საძოვრული მეცხოველეობა. არის სამთოკლიმ. და ბალნეოკლიმ. კურორტები, დასვენებისა და ტურიზმის სამთო კომპლექსი „ორფევსი".

სმოლენსკის ოლქი



სმოლიჩი იური კორნეის ძე [25. VI (8. VII) . 1900, ქ. უმანი, ახლანდ. უკრ. სსრ, —26. VIII. 1976], უკრაინელი საბჭ. მწერალი. სოციალ. შრომის გმირი (1970). სკკპ წევრი 1951-იდან. ანტიკაპიტალ. სულისკვეთებითაა გამსჭვალული მისი რომანები „უკანასკნელი ეიჯეიუდი“ (1926) და „ორმოცდარვა საათი“ (1933), კრებული „მშვენიერი კატასტროფები“ (1935). ს-მა უკრ. ლიტ-რაში დაამკვიდრა სათავგადასავლო და მეცნ.-ფანტასტ. ჟანრი. მას ეკუთვნის სატირული წიგნები „კაცნახევარი“ (1927), „ყალბი მელპომენე“ (1928), „გულის იქითა მხარე“ (1930); ავტობიოგრ. ტრილოგია: „ჩვენი საიდუმლოებანი“ (1936), „ბავშვობა“ (1937), „თვრამეტი წლისანი“ (1938); რომანები „ჩვენ ერთად ვიბრძოდით“ (1948), „განთიადი ზღვაზე“ (1953), „მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს“ (1958). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სმოლიჩი ნიკოლოზ ვასილის ძე [12 (24). VI. 1888, პეტერბურგი, — 31. VII. 1968, მოსკოვი], საბჭ. რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1944). სკკპ წევრი 1946-იდან. 1905—08 სწავლობდა პეტერბ. უნ-ტში. 1911 დაამთავრა დრამ. კურსები. 1911—17 ალექსანდრას თეატრის მსახიობი, 1916-იდან რეჟისორი. 1922-იდან ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის რეჟისორი (1935-იდან ლენინგრ. კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი). ამ თეატრში დადგა სპექტაკლები: ვერდის „ტრავიატა“ (1923), როსინის „სევილიელი დალაქი“ (1924), მეიერბერის „ჰუგენოტები“ (1935; 1951) და სხვ. 1924—30 ლენინგრ. მცირე საოპერო თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი და დირექტორი. 1930—36 დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი, 1938—47 შევჩენკოს სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის (კიევი) ხელმძღვანელი და დირექტორი. 1961—63 ასწავლიდა მოსკ. კონსერვატორიაში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სმოლნი, შენობა ლენინგრადში (ყოფ. კეთილშობილ ქალთა *სმოლნის ინსტიტუტი*), რ-იც დაკავშირებულია 1917 ოქტ. რევოლუციის ისტორიულ მოვლენებთან. 1917 წ. 4 (17) აგვ. ტავრიდის სასახლიდან ს-ში გადავიდა სრულიად რუს. ცაკი და პეტროგრ. საბჭო. 7(20) ოქტ. ს-ში გაიხსნა რსდმპ (ბ) პეტროგრ. III საქალაქო კონფერენცია, 11 (24) ოქტ. — ჩრდ. ოლქების საბჭ. ყრილობა. 24 ოქტ. (6 ნოემბ.) აჯანყების ხელმძღვანელობის მიზნით აქ მოვიდა ვ. ი. ლენინი, აქვე დაწერა მოწოდება „რუსეთის მოქალაქეებს“, რ-ითაც გამოცხადდა დროებითი მთავრობის დამხობა; 25 ოქტ. (7 ნოემბ.), საღამოს, ს-ში გაიხსნა სრულიად რუს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობა, რ-მაც გამოაცხადა საბჭ. ხელისუფლება და შექმნა მთავრობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ს. გახდა საბჭ. მთავრობის და სრულიად რუს. ცაკის ოფიც. რეზიდენცია. აქვე იყო რკპ (ბ) ცკ და მისი აპარატი. 1918 მარტში მთავრობის მოსკოვში გადასვლის შემდეგ ს-ში დარჩა პეტროგრ. საბჭო და ქალაქისა და გუბერნიის მმართველი ორგანოები. ამჟამად ს-ში განლაგებულია სკკპ ლენინგრ. საოლქო და საქალაქო კომიტეტები და საოლქო აღმასკომი. ს. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტ. ანსამბლია, რ-შიც გამოირჩევა რუს. ბაროკოს შესანიშნავი ძეგლი—სმოლნის მონასტერი (1748—54, ბ. ბ. რასტრელის პროექტი; სენაკების ინტერიერი და კორპუსები დაასრულა 1832 — 35 არქიტ. ე. სტასოვმა). მონასტრის მახლობლად არის ყოფ. კეთილშობილ ქალთა სმოლნის ინ-ტის შენობა (გვიანდ. კლასიციზმი; 1806—08, არქიტ. ჯ. კვარენგი). 1923—32 არქიტ. ვ. შჩუკოსა და ვ. გელფრეიხის მონაწილეობით ყოფ. სმოლნის ინ-ტის შენობის წინ აღმართეს კლასიცისტური პროპილონები. გაშენდა რეგულარული პარკი (ორიენ — 1923—25), დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგლი (1927, მოქანდაკე ვ. კოზლოვი), კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ბიუსტები (1932, მოქანდაკე ს. ევსეევი), ყველა ძეგლი ბრინჯაოსი და გრანიტისაა.

სმოლნის ინსტიტუტი, კეთილშობილ ქალთა პირველი სასწავლებელი რუსეთში. დაარსდა 1764 ი. ბეცკოის ინიციატივითა და ეკატერინე II-ის ბრძანებით პეტერბურგში, სმოლნის მონასტერში. 1765 მასთან გაიხსნა განყ-ბა „მეშჩანი ქალიშვილებისათვის“. 1796-იდან შედიოდა დედოფალ მარიამის დაწესებულებათა უწყებაში. სწავლების ვადა იყო 7—8 წელი (აღსაზრდელთა ასაკი — 6-იდან 18 წლამდე). აღზრდას და სწავლებას ჰქონდა ვიწროკლასობრივი მიმართულება და შინაარსი. 1859—62 კლასების ინსპექტორად მუშაობდა კ. *უშინსკი*, რ-მაც ჩაატარა მთელი რიგი პროგრ. ხასიათის პედ. გარდაქმნები, მაგრამ იძულებული იყო დაეტოვებინა ინ-ტი. 1917 ზაფხულში ყველა აღსაზრდელი გადაიყვანეს სხვადასხვა სასწავლებელში. 1917 ს. ი-ის შენობაში მოთავსდა ხელისუფლების რევ. ორგანოები. იხ. *სმოლნი*.

სმოლნიცა, სმონიცა, დაწიდული ნიადაგების ჯგუფი. ამ ტიპის ნიადაგები დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. ს-ს შესახებ პირველი ცნობები მოცემულია ა. სტებუტის შრომებში. ს. გავრცელებულია იუგოსლავიაში, ბულგარეთში, ალბ.. და რუმინ. დაბლობებსა და მთის ქვაბულებში. ა. სტებუტის, კ. ბოგატირიოვის, ვ. კოინოვისა და სხვათა შრომებში მოცემული აღწერილობით, ს. გამოირჩევა შუა ფენებში მოშავო შეფერილობით, დიდი თიხიანობით, ბელტიანობითა და ძლიერი დაწიდულობით, დიდი შთანთქმის ტევადობით (შთანთქმულ ფუძეთა შორის ჭარბობს Mg). მიუხედავად იმისა, რომ ს-ს ფენები ძლიერ მუქია, ჰუმუსს მცირე რაოდენობით (1,1—1,3%) შეიცავს.

ს. გავრცელებულია საქართველოშიც, კერძოდ ქართლსა და სამხრ. ოსეთის ვაკეებსა და ქვაბულებში, განსაკუთრებით ხაშურის, სურამის, სოფ. ოსიაურის, ხეთაგუროვის მიდამოებში მთა-ტყეთა და ველების ზონებს შორის გარდამავალ ზოლში.

ლიტ.: Сабашвили М. Н., Джикаева М. А., О почвах типа смолниц в Грузии, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1966, ტ. 41, № 2. *მ. ჯიკაევა.*

სმოლუხოვსკი, ფონ სმოლუხოვსკი (Smoluchowski) მარიან (28. V. 1872, ფორდერბრიული, ვენის მახლობლად, — 5. IX. 1917, კრაკოვი), პოლონელი ფიზიკოსი. 1894 დაამთავრა ვენის უნ-ტი. 1896—97 მუშაობდა პარიზის, გლაზგოსა და ბერლინის უნ-ტებში. 1900-იდან ლვოვის უნ-ტის პროფესორი (მოგვიანებით რექტორი), 1913-იდან კი — კრაკოვის უნ-ტისა. უმთავრესი შრომები აქვს სტატისტ. ფიზიკაში. მისი შრომები ფლუქტუაციების თეორიისა (1904) და *ბროუნის მოძრაობის* (1906) შესახებ ა. *აინშტაინის* შრომებთან ერთად კლასიკურ გამოკვლევათა რიცხვს მიეკუთვნება.

ლიტ.: Анри В., М. Ф. Смолуховский, «Успехи физических наук», 1918, т. 1, в. 1.

სმოტრიცკი ინოკენტი მიხეილის ძე (დ. 28. III. 1925, სოფ. ტატიანოვკა, ტომსკის ოლქი), რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1974). სწავლობდა კრასნოიარსკის თეატრის სტუდიაში. 1946—57 მუშაობდა ნორილსკში, მაჰაჩყალაში, ვოლგოგრადში, მოსკოვში. 1957—60 — ლენინგრ. დიდ დრამ. თეატრში (საუკეთესოა თავად მიშკინის როლი სპექტაკლში „იდიოტი“, დოსტოევსკის მიხედვით). 1973 მცირე თეატრში შეასრულა მეფე თედორეს როლი (ა. ტოლსტოის „მეფე თედორე იოანეს ძე“). 1957-იდან იღებენ კინოში. მნიშვნელოვანი როლები: კულიკოვი („ერთი წლის ცხრა დღე“, 1962), ჰამლეტი („ჰამლეტი“, 1964), დეტორჩკინი („უფრთხილდი ავტომობილს“, 1966), პორფირი პეტროვიჩი („დანაშაული და სასჯელი“, 1970), ჩაიკოვსკი („ჩაიკოვსკი“, 1970), ვოინიცკი („ძია ვანია“, 1971), მეფე („პრინცესა ცერცვის მარცვალზე“, 1976), ზახარ ბარდინი („მტრები“, 1977), ტილი („ორნი ქოლგის ქვეშ“, 1983) და სხვ. ლენინური პრემია (1965), ძმები ვასილიევების სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია (1971). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით.



ი. სმოკტუნოვსკი ჰამლეტის როლში. ფილმი „ჰამლეტი“. 1964.

სმუგლიავიჩიუსი პრანციშკუს [პოლონურად სმუგლევიჩი (Smuglewicz) ფრანციშეკ] [6. X. 1745, ვარშავა, — 6 (18). IX. 1807, ვილნიუსი], ლიტველი ფერმწერი. ლიტვ. ეროვნ. ფერწერის სკოლის ფუძემდებელი. 1763—64 სწავლობდა ა. მარონთან, 1765-იდან—რომის სამხატვრო აკადემიაში, მუშაობდა იქვე. 1784—97 მუშაობდა ვარშავაში, 1797-იდან — ვილნიუსში. ვილნიუსის უნ-ტის ფერწერისა და ხატვის კათედრის გამგე (1797-იდან). ს-ის კლასიცისტური ფერწერა (უმთავრესად ისტ. სურათები, პორტრეტები) ზოგჯერ ბაროკოს გავლენას განიცდიდა. ნამუშევრები: „ლიტველი გლეხები“, აკვარელების ციკლი, „ძველი ვილნიუსის არქიტექტურული ხედები“ (1785, ორივე ლიტვ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, ვილნიუსი), ვილნიუსის უნ-ტის ე. წ. სმუგლიავიჩიუსის დარბაზის მოხატულობა (ძმასთან, ა. სმუგლიავიჩიუსთან ერთად).



ფ. სმუგლიავიჩიუსი. გრანოვსკაიას პორტრეტი. ლიტვის სსრ სამხატვრო მუზეუმი. ვილნიუსი.

სმუული (1954-მდე შმუული) იუჰან (18. II. 1922, სოფ. კოგუვა, კ. მუპუ, — 13. IV. 1971, ტალინი), ესტონელი საბჭ. მწერალი. ესტ. სსრ სახ. მწერალი (1965). სკკპ წევრი 1951-იდან. ს-ის პირველი პოეტური კრებულებია „სასტიკი ყრმობა“ (1946), „იარვესუულის ბიჭების ბრიგადა“ (1948), „ვაშლებმა რომ იყვავილონ“ (1951). 1951 რუს. ენაზე თარგმნილი პოეტური კრებულისათვის „ლექსები, პოემები“ მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1952). დიდი პოპულარობა მოუტანა მწერალს ანტარქტიდაში მოგზაურობის დღიურმა „ყინულის წიგნი“ (1958; ლენინური პრემია, 1961). იყო ესტ. სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავ-რე (1959 — 71), სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1954 — 71). სსრკ V—VI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით. 1971 დაარსდა ს-ის სახ. ესტ. სსრ ყოველწლიური ლიტ. პრემია.



ი. სმუული.

სნაიდერსი (Snyders, Snijders) ფრანს (მოინათლა 11. XI. 1579, ანტვერპენი,— 19. VIII. 1657, იქვე), ფლამანდელი ფერმწერი. სწავლობდა პ. ბრეიგელ უმცროსთან და ჰ. ვან ბალენთან; თანამშრომლობდა პ. პ. რუბენსთან. 1602 (?) —09 იყო იტალიაში. ნატურმორტისა და ანიმალისტური ჟანრის უდიდესი ოსტატი



ა. სნეჭკუსი.



სნო. ციხესიმაგრე. XVI ს.



ჩ. პ. სნოუ.



ლ. სობინოვი.

ლ. სობინოვი ლენსკის როლში (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი").

(„ნატურმორტი გედთან ერთად", ა. პუშკინის სახ. სახვ. ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი). ს-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია მონუმენტურობა, დეტალების ვირტუოზული დამუშავება (ადამიანთა ფიგურებს ს-ის სურათებში ხატავდნენ ი. იორდანსი, ა. იანსენსი და სხვ. ოსტატები).

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 400.

სნაიპერი (ინგლ. sniper<snipe—თავშესაფრიდან სროლა), მსროლელი, რ-იც დაუფლებულია მარჯვე სროლის ხელოვნებას, შენიღბვასა და თვალთვალს. სახელწ. „ს." პირველად გაჩნდა ინგლ. არმიაში I მსოფლიო ომის (1914—18) დროს. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ს-ის ამოცანა იყო მტრის ს-ების, ოფიცრების, მეთვალთვალეების, მეკავშირეების, დაბალ სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავებისა და სხვ. მიზნების განადგურება.

სნეიკი (Snake), მდინარე აშშ-ში, კოლუმბიის მარცხ. შენაკადი. სიგრძე დაახლ. 1670 *კმ*, აუზის ფართ. 282,3 ათ. *კმ*^{2}. სათავე აქვს კლდოვან მთებში, იელოუსტოუნის ეროვნ. პარკის ფარგლებში. მიედინება კოლუმბიის პლატოს აღმ. კიდეზე. ადგილ-ადგილ აჩენს კანიონებს (სიღრმე 800 *მ*-მდე) და ჩანჩქერებს. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის აპრ.-ივნ-ში. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან ახლოს 1390 *მ*^{3}/*წმ*. სანაოსნოა პატარა გემებისათვის. ს-ზე აგებულია ჰესი და წყალსაცავი. იყენებენ სარწყავად. ს-ის ნაპირზეა ქ-ები აიდაჰო-ფოლზი და ტუინ-ფოლზი.

სნეკკაი, IX ს.—X ს. დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ეკლესია, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე, ყოფ. სოფ. სნეკვის (ცხინვალის რ-ნი) განაპირას (ფეოდ. ხანაში სოფ. სნეკვი შედიოდა ქსნის საერისთავოს გვერდისძირის თემის შემადგენლობაში). ეკლესია ნაშენია ყორით, შირიმისა და წითელი ქვით. გეგმით სწორკუთხა ნაგებობას აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. დასავლეთის კედელში, შესასვლელის ორივე მხარეს, თითო მაღალი ნიშია. კამარის საბჯენი თაღები პილასტრებზეა დაყრდნობილი. სამხრეთის კარის თავზე ჩაღრმავებული ტიმპანია, ხოლო აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე, — ბოლოებგაშლილი ჯვრის რელიეფური გამოსახულება. ყოფ. სოფლის ტერიტორიაზე არის ავრეთვე შუა საუკ. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

ლიტ.: Меписашвили Р. С., Цинцадзе В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида-Картли, Тб., 1975.

რ. მეფისაშვილი. ჯ. გვასალია.

სნელიუსი, სნელი (Snellius, Snell van Royen) ვილებრორდ (1580, ლეიდენი, — 30. X. 1626, იქვე), ჰოლანდიელი ასტრონომი და მათემატიკოსი. ლეიდენის უნ-ტის პროფესორი (1613-იდან). დაადგინა სინათლის გარდატეხის კანონი (იხ. *სნელიუსის გარდატეხის კანონი*).



1615—17 საკუთარი მეთოდით გაზომა ჰოლანდიაში მერიდიანის 1°11′30″ რკალის სიგრძე. ამოხსნა ე. წ. პოტენოტის ამოცანა. შრომები აქვს ბრტყელსა და სფერულ ტრიგონომეტრიაშიც.

ლიტ.: Вилейтнер Г., История математики от Декарта до середины XIX столетия, пер. с нем., 2 изд., М., 1966.

სნელიუსის გარდატეხის კანონი, ორი გამჭვირვალე გარემოს გამყოფ საზღვარზე *სინათლის გარდატეხის* კანონი, რ-იც ამტკიცებს, რომ საზღვარზე სხივის დაცემის ნებისმიერი α კუთხის დროს $\sin\alpha/\sin\beta$ ფარდობა (β გარდატეხის კუთხეა) მუდმივი სიდიდეა. დაადგინეს ვ. *სნელიუსმა* 1620 და რ. *დეკარტმა* 1627—30. ს. გ. კ-ის საფუძველზე შესაძლებელი გახდა *გარდატეხის მაჩვენებლის* ცნების შემოტანა. ეს კანონი საფუძვლად უდევს გეომეტრიულ ოპტიკას.

სნეჟნოე, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ დონეცკის ოლქში. რკინიგზის სადგური. 67 ათ. მცხ. (1983). იღებენ ქვანახშირს, ცენტრ. მამდიდრებელი ფ-კა, ქიმ. მანქანათსაშ. ქ-ნა. ქ-ნა „სნეჟნიანსკრემსტანკი", მსუბუქი, კვების მრეწვ. და სხვ. საწარმოები. საღამოს სამთო ტექნიკუმი.

სნეფრუ, სნოფრუ (ზეობის სახელი ნებმაატი), ძვ. ეგვიპტის ფარაონი, IV დინასტიის (ძვ. წ. 2723 — ძვ. წ. 2563) დამაარსებელი. ისტორიაში შევიდა როგორც პირამიდების მშენებელი. მას მიაწერენ 2 თუ 3 პირამიდის აშენებას (მედუმის პირამიდა, „გაბზარული პირამიდა" და, შესაძლოა, დაშურის „წითელი" პირამიდაც). მის დროს ეგვიპტე ძლიერი სახელმწიფო იყო. ტურინის პაპირუსის მიხედვით ს. ეგვიპტეს 24 წელი მართავდა, ხოლო *მანეთონის* მიხედვით—29 წელი. აწყობდა მძარცველურ ლაშქრობებს ნუბიაში, აზიაში. ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა პალესტინასთან. შუა სამეფოს პირიოდის ლიტ-რა და გვიანდ. ტრადიცია ს-ს წარმოადგენს, როგორც ბრძენ მმართველს და უპირისპირებს შვილისა და მემკვიდრის — ხეოფსის დესპოტურ მმართველობას.

სნეჩკუსი ანტანას [25. XII. 1902 (7. I. 1903), სოფ. ბუბლიალიაი, ახლანდ. შაკიაის რ-ნი, ლიტვ. სსრ, — 22. I. 1974, დრუსკინინკაი, ლიტვ. სსრ], საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1973). სკკპ წევრი 1920-იდან. 1920—21 მეთაურობდა ლიტვ. კპ-ის ალიტუსის იატაკქვეშა კომიტეტს. 1925—26 კომინტერნის აღმასკომში ლიტვ. კპ წარმომადგენლობაში იყო. ლიტვაში ფაშისტური გადატრიალების შემდეგ (1926) არალეგალურად მუშაობდა კაუნასში, იყო ლიტვ. კპ ცკ-ის მდივანი. 1930 დააპატიმრეს, მიუსაჯეს 15 წლის კატორღა. 1933-იდან მოსკოვში მოღვაწეობდა. 1936-მდე კომინტერნის აღმასკომში ლიტვ. კპ-ის წარმომადგენლის მოადგილე, 1936—39 ლიტვ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი. ლიტვაში საბჭ. ხელისუფლების აღდგენის შემდეგ (1940) ლიტვ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი (1974-მდე). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს პარტიზ. მოძრაობის რესპ. შტაბს მეთაურობდა. 1941-იდან სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1952-იდან წევრი. სსრკ I—VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 8 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სნიარდვი (Sniardwy), ტბა პოლონეთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მაზურის ტბათა ჯგუფში. ფართ. 113,8 *კმ*^{2} (პოლ. უდიდესი ტბა). სიღრმე 23,4 *მ*-მდე. ნაპირები შემოსილია ფიჭვნარით, ზოგან დაჭაობებულია. ბევრია კუნძული. მდ. პისით უკავშირდება მდ. ნარევს (ვისლის აუზი). გაყინულია 3 *თ.* თევზჭერა. ნაოსნობა. საწყლო ტურიზმი.

სნიგირიოვკა (1961-მდე დაბა), ქალაქი უკრ. სსრ ნიკოლაევის ოლქში, მდ. ინგულეცის (დნეპრის შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. სნიგირიოვკის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო გზების კვანძი. სარემონტო-მექან. რკინაბეტონის ნაკეთობათა, კარაქის, საკონსერვო და სხვა ქ-ნები.

სნო, სოფელი ყაზბეგის რ-ნში, მდ. სნოსწყლის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ართხმო, აჩხოტი, ახალციხე, კარკუჩა, ქოსელი, ჯუთა). ზ. დ. 1760 *მ*; ყაზბეგიდან 8 *კმ*. ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სნორი სტურლუსონი (Snorri Sturluson) (1178, ჰვამური, — 23. IX. 1241, რეიკჰოლტი), ისლანდიელი მწერალი. ეკუთვნის „ედა უმცროსი" ანუ „სნორის ედა" და „ჰეიმსკრინგლა", რ-იც მოიცავს ნორვ. ისტორიას 1177-მდე. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, მასვე ეკუთვნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგა — „ეგილის საგა".

სნოს ციხე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე აღმ. საქართველოს მთიანეთში, *ხევში*, სნოს ხეობაში, მდ. სნოსწყლის მარჯვ. ნაპირის კლდოვან გორაზე (ყაზბეგის რ-ნის ტერიტორია). ს. გ. XVI ს. მიწურულში უნდა იყოს აგებული. წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს. 30-იან წლებში, როცა მას დაესტნელთა ლაშქარი მოადგა. ს. გ. კონტროლს უწევდა ხევიდან მიმავალ მოკლე გზას, რ-იც გადიოდა ხევსურეთზე, ფშავზე და გუდამაყრის ხეობით მთიულეთზე. გადმოცემის თანახმად, ს. გ. ეკუთვნოდა შიოლა ღუდუშაურს, რ-თვისაც არაგვის ერისთავს აზნაურობა უბოძებია. ს. გ. შედგება კოშკისა და წრიული გალავნისაგან. გალავნის ქვედა ნაწილში სათოფურები და სარკმლებია, ზედა ნაწილში — სალოდეები. კოშკის სიმაღლე 20 *მ*-ს აღწევს.

ლიტ.: მაკალათია ს., ხევი, ტფ., 1934.

ჯ. გვასალია.

სნოსწყალი, მდინარე ხევის კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, მდ. თერგის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 3035 *მ*-ზე. სიგრძე 27,3 *კმ*, აუზის ფართ. 256 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარშია, წყალმცირობა—ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 6,72 *მ*^{3}/*წმ*.

ი. აფხაზავა.

სნოუ (Snow) ჩარლზ პერსი (15. X. 1905, ლესტერი, — 1. VII. 1980), ინგლისელი მწერალი, ფიზიკოსი, საზოგადო მოღვაწე. 1932 გამოაქვეყნა პირველი, დეტექტური ჟანრის რომანი „სიკვდილი აფრის ქვეშ". ს-მ შექმნა რომანების სერია საერთო სათაურით „უცხონი და ძმანი", რ-შიც გაანალიზებულია ინგლ. კრიტ. რეალიზმის ტრადიციები; ამ ციკლში შედის: „უცხონი და ძმანი" (1940), „შუქი და სიბნელე" (1947), „ჟამი იმედისა" (1949), „რექტორები" (1951), „ახალი ადამიანები" (1954), „შინ დაბრუნება" (1956), „მდიდართა სინდისი" (1958), „საქმე" (1960), „ძალა-უფლების დერეფნები" (1964), „გონების ძილი" (1968), „დასასრული" (1970). მისი რომანების უმრავლესობა ავტობიოგრ. ხასიათისაა. მთელ სერიას გაჰყვება მთავარი გმირის, მეცნიერ ლუის ელიოტის სახე. ს. მიჩნეულია თანამედროვე ინგლ. სამეცნ. ინტელიგენციის ცხოვრების უაღრესად კომპეტენტურ მემატიანედ. დაწერილი აქვს წიგნი გამოჩენილ პოლიტ. და საზ. მოღვაწეთა შესახებ („ადამიანთა ნაირგვარობა", 1967). ს. იყო საქართველოში.

ნ. ყიასაშვილი.

სნუკ-ჰურგრონიე (Snouck Hurgronje) კრისტიან (8.II. 1857, ოსტერჰაუტი, ჩრდ. ბრაბანტი, — 26. VI. 1936, უგსტგეესტი, ლეიდენის ახლოს), ჰოლანდიელი ისლამმცოდნე, მ. ი. დე გუესა და თ. *ნელდეკეს* მოწაფე. 1891—1906 მთავრობის მრჩეველი ჰოლანდ. ოსტინდ. კომპანიაში. 1906—27 ლეიდენის უნ-ტის პროფესორი, ამს-

ტერდაშის მეცნ.აკად. პრეზიდენტი,სსრკ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1927). ს.-პ-ს უნგრ. ისლამმცოდნე ი. გოლდციერთან ერთად დაარსტკიცა, რომ *ჰადისების* უმრავლესობა შეიქმნა VII—VIII სს-ში.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Памяти Хр. Снуха-Хюргронье, Избр. соч., т. 5, М.—Л., 1958.

სობანტიანსკი ედმუნდ მიხეილის ძე (1867, თბილისი, — 1941, იქვე), მეანგინეკოლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1907). 1893 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. თბილისში დაბრუნების შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში კავკასიაში პირველად ჩამოაყალიბა მეანგინეკოლ. განყ-ბა. 1912-იდან იყო ოლგას საბებიო ინ-ტის დირექტორი, 1935-იდან — საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს თბილ. დედათა და ბავშვთა ინ-ტის დირექტორი. შექმნა ხელსაწყო ნაადრევი მშობიარობისათვის, ე. წ. „ხელოვნური სანაყოფო ბუშტი", რ-იც დღესაც იხმარება სამეანო პრაქტიკაში.

ლიტ.: საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. 4, წგნ. 1, თბ., 1960.

მ. შენგელია.

სობინკა, ქალაქი (1939-იდან) რსფსრ ვლადიმირის ოლქში, მდ. კლიაზმის (ოკის შენაკადი) ნაპირზე. სობინკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. უნდოლიდან 4 *კმ.* საქსოვ-სართავი ფ-კა.

სობინოვი ლეონიდ ვიტალის ძე [26. V (7. VI). 1872, იაროსლავლი, — 14. X. 1934, რიგა, დაკრძალულია მოსკოვში], საბჭ. მომღერალი (ლირ. ტენორი). რესპ. სახ. არტისტი (1923). 1894 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. სტუდენტობის წლებში მღეროდა უნ-ტის გუნდში, პარალელურად (1892-იდან) მეცადინეობდა მოსკ. ფილარმონიული საზ-ბის მუს.-დრამ. სასწავლებელში. მონაწილეობდა იტალ. საოპერო დასის სპექტაკლებში, 1896-იდან — „რუსული მუსიკის მოყვარულთა წრის" კონცერტებში. 1897 შედგა ს-ის დებიუტი მოსკ. დიდი თეატრის სცენაზე (სინოდალის პარტია რუბინშტეინის „დემონში"), სადაც მღეროდა მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში. გამოდიოდა აგრეთვე პეტერბ. (უმთავრესად მარიინის), 1905—11 დას. ევრ. (მილანის „ლა სკალა", მადრიდი და სხვ.) საოპერო თეატრებში. მოიპოვა მსოფლიო სახელი. 1917-იდან ეწეოდა ინტენს. საზ. მოღვაწეობას. 1917—18 იყო დიდი თეატრის დირექტორი.

ს. რუს. კლასიკური ვოკალური ხელოვნ. ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. გამოირჩეოდა ძალზე ლამაზი ხმით, არტისტიზმით, დრამ. ტალანტით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით. პარტიებიდან აღსანიშნავია: ბოიანი (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა"), ლენსკი, ბერენდეი (რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამე", „თოვლია"), ვლადიმირ იგორის ძე (ბოროდინის „თავადი იგორი"), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი"), რომეო (გუნოს „რომეო და ჯულიეტა"), ვერთერი, დე გრიე (მასნეს „ვერთერი", „მანონი"), ჰერცოგი, ალფრედი (ვერდის „რიგოლეტო", „ტრავიატა") და სხვ. ს. კამერულ-ვოკალური ჟანრის დიდი ოსტატი იყო. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ს-ის სახელი მიეკუთვნა სარატოვის კონსერვატორიასა და იაროსლავლის მუს. სასწავლებელს.

ლიტ.: Лавов М., Л. В. Собинов, М.—Л., 1951; Орфенов А., Творческий путь Л. В. Собинова, М., 1965.

სობისი, გორის რ-ნის სოფლების *ზემო სობისისა* და *ქვემო სობისის* ძვ. სახელწოდება.

სობკო ვადიმ ნიკოლოზის ძე [5 (18). V. 1912, მოსკოვი, — 12. IX. 1981], უკრაინელი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1940-იდან. ლიტ. მოღვაწეობა 1930-იდან დაიწყო. საბელი გაუთქვა ტრილოგიებმა „ვარსკვლავიანი ფრთები" (1937—50) და „ვარსკვლავის გზა" (1943—47). ეკუთვნის რომანები „შორეული ფრონტი" (1948), „მშვიდობის საწინდარი" (1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), „თეთრი ალი" (1952), „სტადიონი" (1954), „მადონა" (1973) და სხვ. დაჯილდოებულია 7 ორდენითა და მედლებით.

სობოლევი ვიქტორ ვიქტორის ძე [დ. 20. VIII (2. IX). 1915, პეტროგრადი], საბჭ. ასტრონომი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1981). დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი (1938). პროფესორი იქვე (1948-იდან). კვლევის ძირითადი სფეროა თეორ. ასტროფიზიკა. დაამუშავა არასტაციონარული ვარსკვლავების სპექტრთა თეორია. შექმნა გამოსხივების გადატანის თეორიის ახ. მეთოდები და გამოიყენა ისინი აირულ ნისლეულებში, პლანეტებისა და ვარსკვლავთა ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების შესასწავლად. დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თხზ.: Движущиеся оболочки звезд, Л., 1947; Курс теоретической астрофизики, 3 изд., М., 1985; Перенос лучистой энергии в атмосферах звезд и планет, М., 1956; Рассеяние света в атмосферах планет, М., 1972.

სობოლევი ვლადიმერ სტეფანეს ძე [17 (30). V. 1908, ლუგანსკი, ახლანდ. ვოროშილოვგრადი, — 1. IX. 1982, მოსკოვი], საბჭ. გეოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958), სოციალ. შრომის გმირი (1978). 1930 დაამთავრა ლენინგრ. სამთო ინ-ტი. 1930—58 მუშაობდა ლენინგრ., ლვოვისა და ირკუტსკის სხვადასხვა გეოლ. დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებელში. 1958—81 იყო სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბის გეოლ. და გეოფიზ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე; 1981-იდან — სსრკ მეცნ. აკად. ა. ფერსმანის სახ. მინერალოგიური მუზეუმის დირექტორი. ს-ის ძირითადი შრომები ეხება მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგიისა და მინერალოგიის, აგრეთვე ალმასების საბადოთა გეოლ. საკითხებს. 1974-იდან იყო საერთაშ. მინერალოგიური ასოციაციის პრეზიდენტი. ლენინური (1976) და სსრკ სახელმწ. პრემია (1950). დაჯილდოებულია ლენინის 2 ორდენით, 1 სხვა ორდენით.

თხზ.: Введение в минералогию силикатов, Львов, 1949; Строение верхней мантии и способы образования магмы. 13-ое чтение им. В. И. Вернадского. 12 марта 1971 года, М., 1973; Физико-химические основы петрографии изверженных горных пород, М., 1961 (თანაავტ.: А. Н. Заварицкий).

სობოლევი ლეონიდ სერგეის ძე [9 (21). VII. 1898, ირკუტსკი, — 17. II. 1971, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სოციალ. შრომის გმირი (1968). 1918—20 სამოქალაქო ომის მონაწილე. 1941—45 „პრავდის" სამხ. კორესპონდენტი. ლიტ. მოღვაწეობა 1926 დაიწყო. ს-ის ძირითადი თხზულებებია: რომანი „კაპიტალური რემონტი" (ტ. I, 1932, ახალი თავები — 1962), ტრაგედია „აბაი" (1941, მ. აუეზოვთან ერთად), მოთხრობების კრებ. „მეზღვაურული სული" (1942; სსრკ სახელმწ. პრემია, 1943), მოთხრ. „მწვანე სხივი" (1954) და სხვ. სსრკ V—VIII მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

სობოლევი სერგეი ლვოვის ძე [დ. 23. IX (6. X). 1908, პეტერბურგი], საბჭ. მათემატიკოსი და მექანიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939-იდან), სოციალ. შრომის გმირი (1968). სკკპ წევრი 1940-იდან. ლენინგრ. სახელმწ. უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1929) მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. სეისმოლოგიის ინ-ტში, 1932—1943 — სსრკ მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტში. 1935—57 მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი, 1943 — 57 მუშაობდა ატომური ენერგიის ინ-ტში, 1957-იდან სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის მათ. ინ-ტის დირექტორი და ნოვოსიბირსკის უნ-ტის პროფესორია. ს-მა შექმნა კერძოწარმოებულიანი ჰიპერბოლური ტიპის დიფერენც. განტოლებების ამოხსნის ახ. მეთოდი. ვ. *სმირნოვთან* ერთად დაამუშავა ფენოვანი არეების დინამ. რხევის ფუნქციონალურ-ინვარიანტული ამოხსნის მეთოდი. სისტემატურად იყენებდა ფუნქციონალურ ანალიზს კერძოწარმოებულიანი დიფერენც. განტოლებების თეორიაში. ს-მა შემოიტანა ფუნქციონალურ სივრცეთა კლასი, რ-იც მის სახელს ატარებს, და გამოიკვლია ჩართვის თანაფარდობანი ამ სივრცეებისათვის. შემოილო *განზოგადებული ფუნქციები.* სსრკ სახელმწიფო პრემიები (1941, 1951, 1953). დაჯილდოებულია 7 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Уравнения математической физики, 4 изд., М., 1966.

ლიტ.: Сергей Львович Соболев (к 60-летию со дня рождения), Новосиб., 1969 (АН СССР. Сибирское отделение. Ин-т математики).

სობოლევსკი ალექსი ივანეს ძე [26. XII. 1856 (7. I. 1857), მოსკოვი, — 24. V. 1929, იქვე], რუსი მეცნიერი, ფილოლოგი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1900). კიევისა და პეტერბ. უნ-ტების პროფესორი. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო რუს. ენის ისტ. შესწავლა, იკვლევდა ძვ. რუს. ენის ლექსიკის ისტორიას, ძვ. რუს. დამწერლობას, რუს. დიალექტებს, უკრ. და ბელორ. ენებს. გამოქვეყნებული აქვს ბევრი ნაშრომი ტოპონიმიკისა და ეთნოგრ., ძვ. რუს. ხელოვნ. ისტ., ხალხ. ზეპირსიტყვიერებისა და პალეოგრაფიის დარგებში.



ვ. ვ. სობოლევი.



ვ. ს. სობოლევი.

სობოლიკოვი ივანე ივანეს ძე (1813, ესტონეთი, — 1874, თბილისი), რუსი ექიმი, მუშაობდა საქართველოში. 1836 დაამთავრა დერპტის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. მუშაობდა ვიტებსკის მაზრის ექიმად, 1840-იდან — თბილ. ქალაქის ექიმად, 1850-იდან კი — საექიმო სამმართველოს დირექტორად. იყო კავკ. სამედ. სამეცნ. საზ-ბის ჩამოყალიბების (1864) ერთ-ერთი ინიციატორი და საზ-ბის საპატიო წევრი (1866). ს. ეწეოდა სამეცნ. და საზ. მუშაობას. ეკუთვნის სამეცნ.-პოპულ. შრომები: „დარიგებანი მოსახლეობისათვის", „როგორი ცოდნა ესაჭიროება ადამიანს უფრო მეტად" და სხვ.

ლიტ.: საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. 4, წგნ. 1, თბ., 1960. *მ. შენგელია.*

„სობრანიე პოსტანოვლენიი პრავიტელსტვა სსსრ", სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ოფიციალური გამოცემა, რ-შიც ქვეყნდება საერთო მნიშვნელობის ან ნორმატიული ხასიათის დადგენილებანი. გამოდის 1938-იდან. პირველ განყ-ბაში ქვეყნდება სსრკ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სკკპ ცკ-ის, პროფკავშირების სრულიად საკავშ. ცენტრ. საბჭოსა და საკ. ალკკ ცკ-ის ერთობლივი დადგენილებანი; მეორეში — საერთაშ. აქტები. გამოქვეყნების წესი გათვალისწინებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 20 მარტის დადგენილებით (СП СССР, 1959, № 6, გვ. 37).



ლ. სობოლევი.

სობული (Soboul) მარიუს ალბერ (დ. 27. IV. 1914, ამი-მუსა, ალჟირი), ფრანგი ისტორიკოსი. 1936 დაამთავრა სორბონის უნ-ტი. საფრ. კომპარტიის წევრი 1939-იდან, წინააღმდეგობის მოძრაობის (1939—45) აქტ. მონაწილე, ჟ. *ლეფევრის* მოწაფე. 1967-იდან საფრ. რევ. ისტ. ინ-ტის დირექტორი. „რობესპიერისტულ კვლევათა საზოგადოების" გენ. მდივანი (1959-იდან) და ამ საზ-ბის ბიუჯეტიანი ორგანოს რედკოლეგიის წევრი. მისი შრომები შეეხება საფრ. რევ. ისტორიას, განსაკუთრებით ხალხის ქვედა ფენების მოძრაობის შესწავლას.



ს. სობოლევი.


სობჩიანე, იხ. *სოლდი.*



ფ. სოდი.

სოგმანი, 1. მანქანის ან მექანიზმის დეტალი, პრიზმული სეგმენტური ან სოლისებრი ძელაკი, რ-იც ლილვს მასზე ჩამოცმულ დეტალთან აერთებს. 2. ხის კონსტრუქციის ელემენტების შესაერთებელი დეტალი; ღებულობს მძვრელ ძალვებს. 3. ჰიდროსაიზოლაციო მასალის (მაგ., ბიტუმის) მამჭიდროებელი, რ-ითაც ავსებენ კილოებს ჰიდროტექ. ნაგებობების ნაკერებში.

სოგმანური შეერთება, ლილვის შეერთება მასზე ჩამოცმულ დეტალთან *სოგმანის* ბეშეეობით. სოგმანის დასაყენებლად ლილვსა და დეტალს ღერძის მიმართულებით უნდა ჰქონდეს კილოები. სოგმანები შეიძლება ჩაისვას ჭექით ან მის გარეშე. ჭექით ჩასმული სოგმანით გადაიცემა წრიული ან ღერძული ძალები, ჭექის გარეშე ჩასმულით კი — მხოლოდ წრიული ძალა. უმეტესად იყენებენ პრიზმულ და სეგმენტურ (ნახ.) სოგმანებს, ხოლო მძიმე მანქანათმშენებლობაში — მხებ სოგმანებს.



სოგმანური შეერთება: ა—პრიზმული; ბ—სეგმენტური; გ—მხები; დ—სოლური შეჭრილი; ე—სოლით ნათალზე; ვ—ფრიქციული.

სოგნე-ფიორდი (Sogne fiord), ყურე ჩრდილოეთის ზღვაში, სკანდ. ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაპირთან. ნორვ. უდიდესი ფიორდი. სიგრძე 204 *კმ*, სიგანე 1,5—6 *კმ*, სიღრმე 1208 *მ*-მდე. ნაპირები ციცაბო და კლდოვანი (სიმაღლე 1500 *მ*-მდე) აქვს. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1,5 *მ*. ნავსადგურებია ჰეიანგერი, ლეიკანგერი.

სოდა, *ნახშირმჟავას* ნატრიუმის მარილების ტექ. სახელწოდება. განასხვავებენ ს-ის შემდეგ სახეებს: კალცინირებულს Na_2CO_3 (ნატრიუმკარბონატი, უწყლო ნახშირმჟავა ნატრიუმი), სასმელს $NaHCO_3$ (ნატრიუმბიკარბონატი, ნატრიუმჰიდროკარბონატი) და კრისტალურს $Na_2CO_3 \cdot 10H_2O$, $Na_2CO_3 \cdot 7H_2O$, $Na_2CO_3 \cdot H_2O$. კაუსტიკურ ს-ს ტექნიკასა და ყოფაცხოვრებაში უწოდებენ მწვავე ნატრს $NaOH$ — *ნატრიუმის ჰიდროჟანგს*.

ს. ცნობილი იყო უძველესი დროიდან. ჯერ კიდევ ძვ. ეგვიპტელები ბუნებრივ ს-ს იყენებდნენ სარეცხ საშუალებად და მანის სახარშავად. XVIII ს-მდე სატრიუმ- და კალიუმკარბონატს *ტუტეებს* უწოდებდნენ. 1736 ფრანგმა სწავლულმა ა. ლ. დიუამელ დაუ მონსომ პირველად განასხვავა ეს ორი ნივთიერება: პირველს ეწოდა სოდა (მცენარის სახელწოდებიდან — Salsola Soda, რ-ის ნაცრიდანაც მას ღებულობდნენ), ხოლო მეორეს — პოტაში.

ბუნებაში გვხვდება ს-ის შემდეგი მინერალები: ტრონა $Na_2CO_3 \cdot NaHCO_3 \cdot 2H_2O$, ს. (სინონიმებია სატრიტი და ნატრონი) $Na_2CO_3 \cdot 10H_2O$ და თერმონატრიტი $Na_2CO_3 \cdot H_2O$.

XIX ს. დასაწყისამდე ს-ის მოპოვების მთავარ წყაროს ზოგიერთი ზღვის წყალმცენარისა და მცენარის ნაცარი წარმოადგენდა.

ნატრიუმკარბონატი, Na_2CO_3, უფერული კრისტ. ფხვნილი, $t_{დნ}$ 853°C, სიმკვრივე 2530 *კგ/მ*³ (20°C), წყალში კარგად იხსნება. მათი წყალხსნარები *ჰიდროლიზის* გამო ხასიათდებიან ტუტე რეაქციით. ს-ის პირველი სამრეწვ. მიღების ხერხი შეიმუშავა ფრანგმა მეცნ. ნ. *ლებლანმა* (1787—89), რ-ის მიხედვით ს. მიიღება შემდეგი პროცესების შედეგად: $2NaCl + H_2SO_4 = Na_2SO_4 + 2HCl$; $Na_2SO_4 + 2C = Na_2S + 2CO_2$; $Na_2S + CaCO_3 = CaS + Na_2CO_3$. საბოლოო ნარევიდან ს-ს გამოყოფდნენ წყლით. მიღებული პროდუქტი წარმოადგენდა $Na_2CO_3 \cdot 10H_2O$-ს, რ-საც გასაუწყლოებლად ახურებენ (კალცინირება, აქედან—კალცინირებული ს.). ს-ის მიღების ეს ხერხი შემდეგში შეიცვალა უფრო რენტაბელური მეთოდით (ბელგ. მეცნ. ე. სოლვე), რ-საც საფუძვლად უდევს შემდეგი რეაქციები: $2NH_3 + H_2O + CO_2 = (NH_4)_2CO_3$; $(NH_4)_2CO_3 + H_2O + CO_2 = 2NH_4HCO_3$; $NH_4HCO_3 + NaCl = NH_4Cl + NaHCO_3$; ნალექს $NaHCO_3$ ფილტრავენ და 140—160°C-მდე გახურებით ღებულობენ კალცინირებულ ს-ს Na_2CO_3.

ნატრიუმჰიდროკარბონატი (ნატრიუმბიკარბონატი), $NaHCO_3$, თეთრი კრისტ. ფხვნილია; სიმკვრივე 2160—2220 *კგ/მ*³. გახურებისას იშლება. მათ წყალხსნარებს სუსტი რეაქცია ახასიათებთ. ს. ქიმ. მრეწვ. უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. Na_2CO_3 ძირითადად გამოიყენება მინის, საპნის, ქაღალდის წარმოებაში, სამღებრო საქმეში. $NaHCO_3$ იყენებენ უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად, საკონდიტრო საქმეში.

მედიცინაში იყენებენ ნატრიუმჰიდროკარბონატს (ტაბლეტებში, ფხვნილებში, ხსნარებში) კუჭის წვენში მარილმჟავას ჭარბი რაოდენობის ნეიტრალიზაციისათვის (მაგ., *გასტრიტის* დროს); გარეგან საშუალებად — ხსნარის სახით ყელის გამოსაელებად და კანის გამოსარეცხად მასზე მჟავების მოხვედრისას. ზოგიერთი დაავადების დროს $NaHCO_3$ სისხლში შეჰყავთ შიგავენურად; იგი შედის მრავალი სამკურნ. საშუალების შედგენილობაში.

ლიტ.: Общая химическая технология, под ред. С. И. Вольфковича, т. 1, М.—Л., 1953, с. 512—554; Шокин И. Н., Крашенинников С. А., Технология соды, М., 1975.

სოლევე, სოფელი დუშეთის რ-ნში (ფასანაურის სადაბო საბჭო), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ხანდოსხევის ხეობაში. ზ. ღ. 1860 *მ*, დუშეთიდან 51 *კმ*. ფასანაურის სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). ხანდოს რვაწლ. სკოლა (1,5 *კმ*).

სოლი (Soddy) ფრედერიკ (2. IX. 1877, ისტბორნი, — 22. IX. 1956, ბრაიტონი), ინგლისელი რადიოქიმიკოსი, ლონდონის სამეფო სზ-ბის წევრი (1910). დაამთავრა ოქსფორდის უნ-ტი (1896), 1900—02 მუშაობდა ე. *რეზერფორდთან* მონრეალის უნ-ტში, 1903—04 — უ. *რამზაისთან* ლონდონის უნ-ტში. ასწავლიდა გლაზგოს უნ-ტში (1904—14), იყო აბერდინისა (1914—19) და ოქსფორდის (1919—36) უნ-ტების პროფესორი. რეზერფორდთან ერთად დაამუშავა რადიოაქტ. დაშლის თეორია. რამზაისთან ერთად სპექტროსკოპიულად აღმოაჩინა რადონიდან ჰელიუმის წარმოქმნა. 1913 ს-მ და კ. *ფაიანსმა* ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბეს *წანაცვლების წესი*. ს-მ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ Ra წარმოიქმნება U-იდან (1915). ს-ს პატივსაცემად ერთ-ერთ მინერალს (ურანის სილიკატს) სოდიტი ეწოდა. ნობელის პრემია (1921). სსრკ მეცნ.აკად. უცხოელი წ.-კორ. (1924).

თხზ.: Химия радиоэлементов, пер. с англ., СПБ., 1913.

სოლდატი (იაპ. სო — ვირთაგვა და დოკუ — შხამი), ადამიანის მწვავე ინფექციური დაავადება, რ-საც იწვევს სპიროქეტა spirillum minus. ადამიანი ავადდება ვირთხის, უფრო იშვიათად — კვერნის, დედოფალას, ციყვის, კატისა და ძაღლის კბენის შედეგად. ინკუბაციური პერიოდი 10—14 დღე-ღამეა. დაავადებას ახასიათებს ციებ-ცხელების შეტევები, ნაკბენი ადგილის მტკივნეული შესიება (სადაც შემდგომ ვითარდება წყლული), ლიმფური კვანძების ანთება, თავისა და კუნთების ტკივილი, გამონაყარი ტანზე. სსრკ-ში ს-ს ერთეული ეემთხვევები აღინიშნება. მკურნალობა: ანტიბიოტიკები, ნოვარსენოლი.

სოლოვი და გოვორი, ბიბლიაში ორი ქალაქი მდ. იორდანეს შესართავთან ან მკვდარი ზღვის დას. სანაპიროსთან (დღემდე არ არის დადგენილი ს. და გ-ის ადგილმდებარეობა, თუმცა ბოლო წლებში დამკვიდრდა აზრი, რომ ეს ქ-ები ნამდვილად არსებობდნენ). ბიბლიური გადმოცემით, გარყვნილებისა და ზნედაცემულობისათვის ღმერთ იაჰვეს ქ-ების დასჯა გადაუწყვეტია. წარუვლენია იქ თავისი ელჩები — ანგელოზები, რ-თაც პატიოსნად გამასპინძლებია აბრა.მის ძმისწული ლოთი, რისთვისაც ანგელოზებს იგი და მისი ოჯახი გადურჩენიათ და თან გაუფრთხილებიათ ქალაქიდან გასვლისას უკან მოხედვა არავინ გაბედოსო. ღმერთმა აწვიმა ს. და გ-ს წუნწუბა და ცეცხლი. ქალაქების მკვიდრთაგან არც ერთი ცოდვილი არ გადარჩენილა. ლოთის ცოლს არ შეუსმენია ანგელოზთა რჩევა, უკან მოუხედავს და იქვე მარილის სვეტად ქცეულა.

გამოთქმები „სოდომი", „ს. და გ." ხმარებაში დამკვიდრდა გარყვნილების, არეულობის, ხმაურისა და სხვ. აღსანიშნავად.

სოვა (Sova) ანტონინ (26. II. 1864, პაცოვი, — 16. VIII. 1928, იქვე), ჩეხი პოეტი. „ჩეხური მოდერნის მანიფესტის" ერთ-ერთი ავტორი. ლექსთა კრებულებში „რეალისტური სტროფები" (1890), „თანაგრძნობა და წინააღმდეგობა" (1894) და სხვ. წარმოსახა ხალხის მძიმე ცხოვრება. აბსტრ.-რომანტ. განწყობილებებითაა აღსავსე კრებულები „ახალი სამეფოს ველი" (1900), „სიყვარულისა და ცხოვრების ლირიკა" (1907) და სხვ. მასვე ეკუთვნის კრებულები „პოეტის გაზაფხული" (1921); „კაცნიერი სიყვარული" (1927) და სხვ. ს-მ განიცადა სიმბოლიზმისა და მოდერნიზმის გავლენა. ჩეხ. ლიტრაში შეიტანა თავისუფალი ლექსი.

„სოვეთო ირისთონ" („საბჭოთა ოსეთი"). სამხრ. ოსეთის აო-ის გაზეთი, საქ კპ სამხრ. ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო სახ. დეპუტატთა საბჭოს ორგანო. გამოდის ცხინვალში 1924-იდან კვირაში 5-ჯერ ოსურ ენაზე. 1932-მდე ერქვა „ხურზარინი" („განთიადი"), შემდეგ—„კომუნისტი", 1957-იდან — „ს. ო." დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით. ტირაჟი 13 ათ. (1984).

„სოვეტაკან ვრასტან" („საბჭოთა საქართველო"), სომხური რესპუბლიკური გაზეთი, საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის თბილისში 1920 დეკ.-იდან კვირაში 3-ჯერ. თავდაპირველად გამოვიდა „კარმირ ასტღის" („წითელი ვარსკვლავი") სახელწოდებით. 1923 თებ.-იდან ერქვა „მარტაკოჩი" („საბრძოლო ბანერი"), 1927-იდან — „პროლეტარი", 1940-იდან კი—„ს. ვ." სხვადასხვა დროს რედაქტორებად მუშაობდნენ: ა. ვართანიანი, ვ. ატრიანი, ჰ. პოღოსიანი, ა. გასპარიანი, ს. ვართანიანი, ზ. პოღოსიანი, 1959-იდან ა. ბლრციანი. გაზეთი თანაბარმეცნიერულად ნერგავს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, საბჭ. პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებას. ხელს უწყობს რესპ. ეკონ. და კულტ. აღმავლობას. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით (1970). ტირაჟი 40 ათ. (1984).

ა. ბლრციანი.

„სოვეტაკან ჰაიასტან" („საბჭოთა სომხეთი"), რესპუბლიკური გაზეთი სომხ. კპ ცკ-ის, სომხ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის ერევანში 1920-იდან კვირაში 6-ჯერ. თავდაპირველად ერქვა „კომუნისტი", 1921-იდან — „ხორჰრდაინ ჰაიასტანი", 1940-იდან—„ს. ჰ." დაჯილდოებულია შრო-

მის წითელი დროშია ორდენით (1951). ტირაჟი 300 ათ-ზე მეტი (1984).

„სოვეტ გურჯუსტანი“ („საბჭოთა საქართველო“), აზერბაიჯანული რესპუბლიკური გაზეთი, საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის თბილისში 1920 მარტიდან კვირაში 3-ჯერ. 1920 ერქვა „კომუნისტი“, 1922 — „იენი ფიქირი“ („ახალი აზრი“), 1927—38 — „იენი ქენთი“ („ახალი სოფელი“), შემდეგ — „ს. გ.“ სხვადასხვა დროს გაზეთს რედაქტორობდნენ ბ. თალიბი, მ. ნასირი, მ. ჰუსეინოვი, მ. რასულზადე და სხვ. 1971-იდან—ს. სულეიმანოვი. გაზეთში თანამშრომლობდნენ ნ. ნარიმანოვი, სერგო ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, სამედ ვურღუნი, ა. შარიფი, სულეიმან რუსტამი, მ. იბრაჰიმოვი, ი. აბაშიძე და სხვ. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1972). ტირაჟი 40 ათ. (1984).

„სოვეტ თურქმენისტანი“ („საბჭოთა თურქმენეთი“), თურქმ. რესპუბლიკური გაზეთი, თურქმ. კპ ცკ-ის, თურქმ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის აშხაბადში 1920-იდან კვირაში 6-ჯერ. თავდაპირველად ერქვა „თურქმენისტანი“, 1936-იდან — „ს. თ.“ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1958). ტირაჟი 150 ათ. (1984).

„სოვეტიშ ჰეიმლენდ“ („საბჭოთა სამშობლო“), ებრაული საბჭ. ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი. სსრკ მწერალთა კავშირის ორგანო; გამოდის მოსკოვში 1961-იდან იდიშზე. აქვეყნებს საბჭ. და საზღვარგარეთელ პროგრ. ებრაელ მწერალთა ნაწარმოებებს, თარგმანებს სსრკ ხალხთა ენებიდან. სხვადასხვა ქვეყნის ებრ. ლიტ-რის მიმოხილვებს, ნარკვევებს, პუბლიც., ლიტ., კრიტ. წერილებს, ბიბლიოგრაფიას და სხვ. „ს. ჰ.“ გამოდის სიონიზმის რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

„სოვეტსკაია აბხაზია“, რესპუბლიკური გაზეთი, საქ. კპ აფხ. საოლქო კომიტეტის, აფხ. ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის სოხუმში 1921-იდან რუს. ენაზე კვირაში 5-ჯერ. თავდაპირველად ერქვა „გოლოს ტრუდოვოი აბხაზიი“, 1924-იდან — „ტრუდოვაია აბხაზია“, 1926-იდან — „ს. ა.“ დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1971). ტირაჟი 45 ათ. (1984).

„სოვეტსკაია აჯარია“, რესპუბლიკური გაზეთი, საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო, გამოდის ბათუმში 1918-იდან რუს. ენაზე კვირაში 5-ჯერ. თავდაპირველად ერქვა „იზვესტია“, შემდეგ — „ტრუდოვოი ბატუმი“, „ტრუდოვოი ადჟარისტანი“ და „ბატუმსკი რაბოჩი“, 1963-იდან — „ს. ა.“ დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ტირაჟი 13 ათ. (1984).

„სოვეტსკაია ბელორუსსია“, რესპუბლიკური გაზეთი, ბელორ. კპ ცკ-ის, ბელორ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის მინსკში 1927-იდან რუს. ენაზე კვირაში 6-ჯერ. 1937-მდე ერქვა „რაბოჩი“. დაჯილდებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1964). ტირაჟი 300 ათ-მდე (1984).

სოვეტსკაია-გავანი, ქალაქი რსფსრ ხაბაროვსკის მხარეში. სოვეტსკაია-გავანის რ-ნის ცენტრი. ნავსადგური სოვეტსკაია-გავანის ყურეში. რკინიგზის სადგური. ხე-ტყის დასამუშ., თევზის, გემთსარემონტო და კვების მრეწველობა. საღამოს გემთსაშენ-გემთსარემონტო ტექნიკუმი.

„სოვეტსკაია ენციკლოპედია“, სსრკ სამეცნიერო-საცნობარო ლიტ-რის უდიდესი გამომცემლობა. შედის სსრკ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრ. და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწ. კომიტეტის სისტემაში. დაარსდა მოსკოვში 1925, როგორც „ს. ე-ის“ სააქციო საზ-ბა სსრკ ცაკის კომუნისტურ აკადემიასთან დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის (დსე-ის) I გამოცემის მოსამზადებლად. 1930 გადაკეთდა სალექსიკონო-ენციკლოპედიურ გამომცემლობად, 1935—49 იყო „ს. ე-ის“ სახელმწ. ინ-ტი, 1949—59 — სახელმწ. სამეცნ. გამომცემლობა „ბოლშაია სოვეტსკაია ენციკლოპედია“, შემდეგ „ს. ე-ის“ სახელმწ. სამეცნ. გამომცემლობა, 1963-იდან — „ს. ე“. გამოსცემს მრავალტომეულ უნივერს. და დარგობრივ ენციკლოპედიებსა და ენციკლოპედიურ ლექსიკონებს, დარგობრივ ცნობარებს. უნივერს. ენციკლოპედიური გამოცემებია დიდი საბჭოთა ენციკლოპედია (3 გამოცემა), მცირე საბჭოთა ენციკლოპედია (3 გამოცემა), ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 გამოცემა), დსე-ის წელიწდეულები (1957-იდან), გამოცემულია საზ., საბუნებისმეტყველო-მათ., ტექნ. მეცნიერებათა, ლიტ-რისა, ხელოვნების, დარგობრივი ენციკლოპედიები და ცნობარები. გამომცემლობა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1975). გამოვიდა უნივერს. ენციკლოპედიებისა და დარგობრივი ლექსიკონების 500-მდე ტომი 60 მლნ-ზე მეტი საერთო ტირაჟით.

„სოვეტსკაია ესტონია“, რესპუბლიკური გაზეთი, ესტ. კპ ცკ-ის, ესტ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო, გამოდის ტალინში 1940 წ. 1 ნოემბრიდან რუს. ენაზე გაზ. „ტრუდოვოი პუტის“ ნაცვლად. 1942—43 გაზეთი არ გამოდიოდა. ტირაჟი 50 ათ. (1984). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1976).

„სოვეტსკაია კირგიზია“, რესპუბლიკური გაზეთი, ყირგ. კპ ცკ-ის, ყირგ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო, გამოდის ფრუნზეში 1925-იდან რუს. ენაზე. თავდაპირველად ერქვა „ბატრაცკაია პრავდა“, შემდეგ — „კრესტიანსკი პუტ“, 1927-იდან—„ს. ჯ.“. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1975). ტირაჟი 140 ათ. (1984).

„სოვეტსკაია კულტურა“, სკკპ ცკ-ის გაზეთი. გამოდის მოსკოვში. 1983-იდან კვირაში 3-ჯერ. 1953—72 გაზეთს გამოსცემდა სსრკ კულტ. სამინისტრო და კულტ. მუშაკთა პროფკავშირის ცკ. გაზეთის ძირითადი განყ-ებებია: კულტ. მუშაკთა პარტ. აღზრდა, თეატრი და კინო, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ქორეოგრაფია, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, საგამომცემლო საქმე და პოლიგრაფია, შემოქმედებითი კავშირების კულტ.-საგანმ. დაწესებულებათა საქმიანობა, ხალხ. შემოქმედება და სხვ. ტირაჟი 450 ათ. (1984).

„სოვეტსკაია ლატვია“, რესპუბლიკური გაზეთი, ლატვ. კპ ცკ-ის, ლატვ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო, გამოდის რიგაში 1940-იდან რუს. ენაზე კვირაში 6-ჯერ. თავდაპირველად ერქვა „პროლეტარსკაია პრავდა“; სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით გაზეთის გამოცემა შეწყდა. განახლდა 1944 სექტ-ში „ს. ლ-ის“ სახელწოდებით. ტირაჟი 150 ათ. (1984).

„სოვეტსკაია ლიტვა“, რესპუბლიკური გაზეთი. ლიტვ. კპ ცკ-ის, ლიტვ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის ვილნიუსში რუს. ენაზე კვირაში 6-ჯერ. პირველი ნომერი გამოვიდა „ტრუჟენიკის“ სახელწოდებით 1940 წ. 10 ივლ. კაუნასში. 1941 წ. 22 ივლიდან 1944 წ. 26 სექტ-მდე გაზეთი არ გამოდიოდა. გამოცემის განახლების შემდეგ ქწოდა „ს. ლ.“. ტირაჟი 80 ათ. (1984).

„სოვეტსკაია მოლდავია“, რესპუბლიკური გაზეთი, მოლდ. კპ ცკ-ის, მოლდ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის კიშინიოვში კვირაში 6-ჯერ. დაარსდა 1925, გამოდიოდა უკრ. ენაზე; თავდაპირველად ერქვა „ჩერვონი ორაჩი“ („წითელი გუთნისდედა“), 1930-იდან — „სოციალისტიჩნა მოლდავია“ („სოციალისტური მოლდავეთი“), 1940 წ. 27 სექტ-იდან დაერქვა „ს. მ.“, გამოდის რუს. ენაზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1966). ტირაჟი 170 ათ. (1984).

„სოვეტსკაია პედაგოგიკა“, ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი. სსრკ პედ. მეცნ. აკად. ორგანო, გამოდის მოსკოვში 1937-იდან. ჟურნალი აშუქებს პედ. და პედ. მეცნ. აქტუალურ პრობლემებს, პედ. დარგში მიმდინარე სამეცნ.-კვლ. მუშაობის მნიშვნელოვან მიღწევებს, აქვეყნებს წერილებს მოზარდი თაობის აღზრდის, სწავლებისა და განათლების, ფილოს. და სოციოლოგიურ საკითხებზე, საზღვარგარეთის სკოლის, სახ. განათლებისა და პედ. თეორ. საკითხებზე და სხვ. ჟურნალში განსაკუთრებულად არის გაშუქებული ექსპერ. კვლევის შედეგები, წარმოდგენილია აგრეთვე სადისკუსიო ხასიათის მასალები.

„სოვეტსკაია ჟენშჩინა“, საბჭ. ქალების კომიტეტისა და სსრკ პროფკავშირების ცენტრ. საბჭოს საზ.-პოლიტ. და ლიტ.-მხატვრული ილუსტრირებული ჟურნალი. დაარსდა მოსკოვში 1945, გამოდიოდა 2 თვეში ერთხელ, 1954-იდან — ყოველთვიურად. იბეჭდება 12 ენაზე: რუს., ინგლ., გერმ., ფრანგ. (ყველა 1945-იდან), ესპ., ჩინ. (1950-იდან), კორ. (1955-იდან), იაპ. (1956-იდან), ჰინდი (1957-იდან), უნგრ. (1960-იდან), ბენგ., (1973-იდან), არაბ. (1974-იდან) ენებზე. ჟურნალი აშუქებს საბჭ. ქალების ცხოვრებას, ქალთა საერთაშ. დემოკრ. მოძრაობის პრობლემებს, საბჭ. მეცნიერების მიღწევებს, საბჭ. ქალების მონაწილეობას კომუნისტურ მშენებლობაში. ბეჭდავს ლიტ.-მხატვრულ ნაწარმოებებს, რეპროდუქციებს და სხვ. ყველა გამოცემის საერთო ტირაჟი 2 მლნ-ს აღემატება (1984).

სოვეტსკი (1946-მდე ტილზიტი), ქალაქი რსფსრ კალინინგრადის ოლქში. ნავსადგური მდ. ნემანის მარცხ. ნაპირზე. სარკინიგზო გზების კვანძი. ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, სამკერვალო, ტრიკოტაჟისა და მუყაოს ფ-კები, სარეწაო გემთსაშენი, საფქვავი, ლუდის, საფუარის, ხილსაკონსერვო ქ-ნები, ხორცკომბინატი. კინოტექნიკუმი, კულტ.-საგანმან. სასწავლებელი. დრამ. თეატრი. ქალაქი დაარსებულია 1288.

სოვეტსკი, ქალაქი რსფსრ კიროვის ოლქში, მდ. პიჟმის (ვიატკის შენაკადი) შესართავთან. სოვეტსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. კოტელნიჩიდან 103 კმ. დიდი ნავმისადგომი მდ. ვიატკის ნაპირზე. ტრიკოტაჟული ხელთათმანის, თევზის ჩექმისა და მაქმანების ფ-კები, საშენ მასალათა წარმოება და ხე-ტყის დამუშავება. სატყეო მეურნეობა-ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

„სოვეტსკიე პროფსოიუზი“, სსრკ პროფკავშირების ცენტრ. საბჭოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოვიდა მოსკოვში 1917 „პროფესსიონალნი ვესტნიკის“ სახელწოდებით, 1953-იდან ჰქვია „ს. პ.“, გამოდის თვეში 2-ჯერ. აშუქებს სსრკ პროფკავშირების, მათი ცენტრ. და ადგილ. ორგანოების, პირველადი ორგანიზაციების მოღვაწეობას, საზღვარგარეთის მოვლენებს. აქვეყნებს მასალებს პროფკავშირების საწარმოო, აღმზრდელობითი, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ, მათ მოღვაწეობას შრომის დაცვის, სოც. დაზღვევის, მშრომელთა ხელფასის, შრომისა და დასვენების ორგანიზაციის, სსრკ შრომითი



სოია: 1—მცენარე ვეგეტაციის პერიოდში; 2—მწიფე ბარკებიანი მცენარე; 3—პარკი; 4—თესლი.

კანონმდებლობისა და სხვ. საკითხებზე. ტირაჟი 800 ათ. (1984).

„СОВЕТСКИЙ ПИСАТЕЛЬ“, სსრკ მწერალთა კავშირის გამომცემლობა. დაარსდა მოსკოვში 1934. გამოსცემს როგორც რუსი საბჭ. მწერლების წიგნებს, ისე სსრკ ყველა რესპ. მწერალთა თარგმანებს რუს. ენაზე. „ს. პ-ის“ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „პოეტის ბიბლიოთეკის“ დიდ და მცირე სერიებს (დააარსა მაქსიმ გორკიმ). „ს. პ-ს“ აქვს განყ-ბა ლენინგრადში. 1957-იდან გამომცემლობას ხელმძღვანელობს სსრკ მწერალთა კავშირის მიერ დამტკიცებული გამგეობა. ყოველწლიურად უშვებს 400-მდე დასახელების წიგნს 15 მლნ-მდე საერთო ტირაჟით.

„СОВЕТСКИЙ СПОРТ“, რუსული ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალი. დაარსდა მოსკოვში 1930 მაქსიმ გორკის ინიციატივით (1950-მდე ერქვა „ССШР на стройке“). ჟურნალი გამოდის 19 ენაზე. ჟურნალში ძირითადად იბეჭდება დოკუმენტური ფოტოები, ფოტონარკვევები, რეპორტაჟები, პუბლიც. სტატიები. ჟურნალი აშუქებს სსრკ ხალხთა ცხოვრებას, დიდ ყურადღებას უთმობს სსრკ მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ვრცელდება აგრეთვე საზღვარგარეთის 130-ზე მეტ ქვეყანაში. აქვს გამოცემა „Спорт в СССР“. ყველა გამოცემის საერთო ტირაჟია 1,3 მლნ. (1984).

„СОВЕТСКИЙ СПОРТ“, ყოველდღიური გაზეთი, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საკავშირო პროფკავშირების ცენტრ. საბჭოს ორგანო; გამოდის მოსკოვში 1924-იდან (1946-მდე „კრასნი სპორტი“ ერქვა. 1928—29 არ გამოდიოდა). გაზეთი აშუქებს ფიზკულტურისა და სპორტის აქტუალურ საკითხებს, საბჭ. და საზღვარგარეთის სპორტორგანიზაციების მოღვაწეობას. არის საკავშ. და საერთაშ. ტრად. ტურნირების ორგანიზატორი. აქვს დამატებები: ყოველკვირეული „ფუტბოლ-ხოკკეი“ (1960-იდან) და „64“-ჭადრაკისა და შაშის ყოველკვირეული (1968-იდან). „ს. ს-ის“ გამომცემლობაში 2 თვეში ერთხელ გამოდის სსრკ სპორტკომიტეტის ბიულეტენი „Спорт за рубежом“.

СОВЕТСКО-ЭЛАТОМ, აღმ. ანტარქტიდის ცენტრ. ნაწილის მყინვარული საფრის ყველაზე მაღალი ნაწილი (ს. გ. 75—84° და ა. გ. 25—105°). სიგრძე დაახლ. 2000 *კმ*, სიგანე დაახლ. 450 *კმ*, სიმაღლე 3500—4000 *მ*. პლატოს ცენტრ. ნაწილში არის ყინულქვეშა *გამბურცევის მთები*. ყინულის სისქე 750—3800 *მ*. ს.-ა. ანტარქტიდის ყველაზე ცივი და ძალზე დაბალი ატმ. წნევის (დაახლ. 600 *მბარ*) ადგილია; საშ. წლ. ტემპ-რა —56°C-ზე დაბალია. აქ, სადგ. ვოსტოკზე აღნუსხეს დედამიწაზე ტემპ-რის აბსოლ. მინ. —88,3°C. ს.-ა. აღმოაჩინა 1957—58 საბჭ. ანტარქტ. ექსპედიციამ. 1957-იდან პლატოზე მუშაობს საბჭ. სამეცნ. სადგ. „ვოსტოკი.“

„СОВЕТСКИЙ КИРГИЗСТАН“ („საბჭოთა ყირგიზეთი“), ყირგ. რესპუბლიკური გაზეთი, ყირგ. კპ ცკ-ის, ყირგ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის ფრუნზეში 1924-იდან კვირაში 6-ჯერ. 1927-მდე ერქვა „ერქინ-тоо“ („თავისუფალი მთები“), შემდეგ „ჭიზილ ყირგიზსტან“ („წითელი ყირგიზეთი“), 1956-იდან — „ს. ყ.“. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1958). ტირაჟი 140 ათ. (1984).

„СОВЕТСКИЙ УЗБЕКИСТАН“ („საბჭოთა უზბეკეთი“), უზბ. რესპუბლიკური გაზეთი, უზბ. კპ ცკ-ის, უზბ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის ტაშკენტში 1918-იდან კვირაში 6-ჯერ. თავდაპირველად ერქვა „იშთროქიუნი“ („კომუნისტი“), შემდეგ რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება, 1964-იდან ეწოდა „ს. უ.“. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1958). ტირაჟი 700 ათ-ზე მეტი (1984).

„СОВРЕМЕННИК“, რუსული ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1836—66 წწ. 1843-მდე წელიწადში 4-ჯერ, შემდეგ — ყოველთვიურად; დააარსა ა. პუშკინმა. იბეჭდებოდა ლექსები, პროზა, კრიტ., ისტ., ეთნოგრ. და სხვ. მასალა. თანამშრომლობდნენ ნ. გოგოლი, პ. ვიაზემსკი, ვ. ოდოევსკი და სხვ. ა. პუშკინის გარდაცვალების შემდეგ, 1838-იდან „ს-ს“ გამოსცემდა პ. პლეტნიოვი, რ-მაც 1847 „ს.“ გადასცა ნ. ნეკრასოვსა და ი. პანაევს. ნ. ნეკრასოვმა ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა ი. ტურგენევი, ი. გონჩაროვი, ა. გერცენი, ნ. ოგარიოვი; იბეჭდებოდა ჩ. დიკენსის, ჟორჟ სანდისა და სხვა დას. ევრ. მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. 1847—48 ჟურნალის ოფიც. რედაქტორი იყო ა. ნიკიტენკო, ხოლო იდეური ხელმძღვანელი — ბ. ბელინსკი, რ-ის სტატიები განსაზღვრავდა ჟურნალის მიმართულებას, რაც გამოიხატებოდა არსებული სინამდვილის კრიტიკაში, რევ.-დემოკრ. იდეების პროპაგანდასა და რეალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლაში. ტირაჟი შეადგენდა 3,1 ათ. ა. გერცენის ემიგრაციამ (1847), ბ. ბელინსკის გარდაცვალებამ, პოლიტ. რეაქციამ და მკაცრმა ცენზურამ (1848 შემდეგ) გაართულა რედაქციის მუშაობა. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდშიც (1848—55) „ს.“ იცავდა ლიტ-რაში რეალისტური მიმდინარეობის პრინციპებს. ბეჭდავდა ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის, ნ. ნეკრასოვის ნაწარმოებებს, ტ. გრანოვსკის, ს. სოლოვიოვის სტატიებს. 1854—62 „ს-ის“ აღმავლობის წლებია, მას სათავეში ედგნენ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი, რ-თა ძირითადი ნაწარმოებები გამოქვეყნდა ჟურნალში. 1858 ბოლოსთვის ლიბერ. და კონსერვატიულ პრესასთან მძაფრი პოლემიკის დროს „ს.“ გამოიკვეთა როგორც რევ. დემოკრატიის ტრიბუნა და იდეური ცენტრი. 1859—61 „ს-ის“ პოლემიკამ გაზ. „კოლოკოლთან“ გამოავლინა გლეხთა რევ. აღმავლობის პერიოდში რუსი დემოკრატების როლის გაგების სხვადასხვა პოზიცია, რასაც პოლიტ. განხეთქილება მოჰყვა რედაქციაში: ლიბერალურად განწყობილი ლ. ტოლსტოი, ი. ტურგენევი, დ. გრიგოროვიჩი, რედაქციიდან გავიდნენ, 1861-თვის „ს-ის“ ტირაჟმა 7 ათ. გადააჭარბა.

ნ. დობროლიუბოვის გარდაცვალება (1861), „ს-ის“ გამოცემის შეჩერება 8 თვით (1862 ივლ.) და ნ. ჩერნიშევსკის დაპატიმრება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ჟურნალისათვის, რამაც დასცა მისი იდეური დონე. 1863 ნ. ნეკრასოვმა განაახლა „ს-ის“ გამოცემა. ახ. რედაქციაში შევიდნენ აგრეთვე მ. სალტიკოვ-შჩედრინი (1864-მდე), მ. ანტონოვიჩი, გ. ელისეევი, ა. პიპინი. 1863—66 გამოქვეყნდა ნ. ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“, მ. სალტიკოვ-შჩედრინის, ვ. სლეპცოვის, თ. რეშეტნიკოვის, გ. უსპენსკის რეალისტ. ნაწარმოებები. 1866 ივნ. „ს.“ დაიხურა. მისი ხაზი განაგრძო ჟურნ. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“.

„СОВРЕМЕННИК“, საბჭოთა თეატრი, გაიხსნა მოსკოვში 1957 როზოვის პიესით „მარად ცოცხლები“. დასი ო. ეფრემოვის ხელმძღვანელობით (ხელმძღვანელობდა 1970-მდე) ჩამოყალიბდა ძირითადად ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. სკოლა-სტუდიის კურსდამთავრებულთაგან. თეატრის რეპერტუარშია ძირითადად საბჭ. დრამატურგთა ნაწარმოებები. დადგმები: როზოვის „სიხარულის ძიებაში“ (1957), ვოლოდინის „უფროსი და“ (1962), „ჯვრის გარეშე“ ტენდრიაკოვის მიხედვით (1963), „ჩვეულებრივი ისტორია“ გონჩაროვის მიხედვით (1966), გორკის „ფსკერზე“ (1972), როშჩინის „ვალენტინი და ვალენტინა“ (1972), შატროვის „ამინდი ბვალისთვის“ (1973), ვამპილოვის „პროვინციული ანეკდოტები“ (1974) და სხვ. თეატრის დასში (1983) არიან: რსფსრ სახ. არტისტები პ. შჩერბაკოვი, ი. კვაშა; რსფსრ დამს. არტისტები ვ. გაფტი, ლ. ტოლმაჩოვა, ვ. ნიკულინი, ე. მილიოტი, გ. ფროლოვი, ა. ვოკაჩი. მთავარი რეჟისორია (1972-იდან) რსფსრ სახ. არტისტი გ. ვოლჩეკი.

СОЗОМЕНЕ (Sozomenos) (დ. წ. უცნობია—გ. დაახლ. 450), ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი. დაიბადა პალესტინაში, სადაც იურიდ. განათლება მიიღო. შემდგომში კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა და იურისტად მუშაობდა. იქვე დაწერა „ეკლესიის ისტორია“ (ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს, რ-ებიც მოიცავენ პერიოდს 324-იდან 439-მდე). ს. ორთოდოქსალური მიმართულების მომხრე იყო.

ლიტ.: Kirchengeschichte, hrsg. von J. Bidez und G. Ch. Hansen, B., 1960.

СОЯ (Soya) კარლ ერიკ მარტინ (დ. 30. X. 1896, კოპენჰაგენი), დანიელი მწერალი. მისი პიესებიდან აღსანიშნავია „პარაზიტები“ (1929), „ვინა ვარ მე?“ (1932), „უმბაბუმბა“ (1935) და სხვ. ავტორია აგრეთვე ავტობიოგრ. რომანებისა „ბებიის სახლი“ (1943), „ჩვიდმეტი“ (ტ. 1—3, 1953—54), ნოველების კრებულებისა „სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები“ (1930), „ლამაზი, პატარა თევზები“ (1941), „ეძღვნება ბოკაჩოს“ (1959) და სხვ.

СОЯ (Glycine), ბალახოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მოიცავს რამდენიმე ათეულ სახეობას. ფართოდაა გავრცელებული კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ს. (G. hispida ანუ G. max), რ-ის სამშობლოა ჩინეთი. იყოფა 4 ქვესახეობად: კორ., მანჯურიული, ჩინ., ინდური. ერთწლოვანი ს-ს სიმაღლე 0,2—2 *მ* აღწევს. პარკი ღია ან მუქი შავია, შიგ არის 2—3 (ან 1—4) ღია ფერის მარცვალი. სინათლისა და ტენის მოყვარულია. კარგად იზრდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე (გარდა მჟავე, დაჭაობებული და ბიცობი ნიადაგებისა). ს. ტექ., საკვები და სიდერალური კულტურაა. მარცვალში 24—45% ცილაა, 20—32% ნახშირწყლები, 13—37% ცხიმი; შეიცავს D, B, E და სხვ. ვიტამინებს. სსრკ-ში მოჰყავთ შორეულ აღმ-ში, აგრეთვე უკრაინაში, ჩრდ. კავკასიაში, საქართველოში, მოლდავეთში. საქართველოში გავრცელებული ჯიშებიდან მნიშვნელოვანია იმერული, გურული, ჭიათურის, მოწინავე—7, კოლხიდა—4, ადრეული—6, სენაკის და სხვ.

СОЯНЫЕ ЗЕРНА, ცხიმოვანი *მცენარეული ზეთი*; მიიღება *სოიის* თესლისაგან. ს.


სოიწკი (Nigella sativa)

ზ. შეიცავს ცხიმოვან ზეთებს შემდეგი რაოდენობით (%): ლინოლის (51—57), ოლეინის (23—29), სტეარინის (4,5—7,3), ლინოლენის (3—6), პალმიტინის (2,5—6,0), არაქინის (0,9—2,5) და სხვ. ს. ზ-ის გამყარების ტემპ-რაა —15-იდან —18°C-მდე. მცენარეული ზეთის მსოფლიო წარმოებაში ს. ზ-ს წამყვანი ადგილი უჭირავს; იყენებენ მარგარინის წარმოებაში. ს. ზ-ის მნიშვნელოვანი კომპონენტია *ლეციტინი*.

სოინარი, ლარჭემი, მრავალღეროვანი სალამური, იგ. ბერძნული „პანის ფლეიტის" ქართული სახესხვაობა. ამზადებენ ლერწმისაგან. გავრცელებულია დას. საქართველოში. გურიაში უწოდებენ სოინარს, სამეგრელოში — ლარჭემს, რაც ქართულად ლერწამს ნიშნავს. წყობა ნებისმიერია. 6 ღერო გადაბმულია ერთმანეთზე ისე, რომ ბანის ღეროები შუაშია მოქცეული; მარჯვნივ მისდევს 2 „დამწყები" ხმის ღერო, მარცხნივ — 2 „პირველი" ხმისა. ვღებულობთ მარცხნივ და მარჯვნივ შემცირებულ და მაჟორულ, მაჟორულ და მინორულ ან ორივე შემცირებულ სამხმოვანებებს.

სოინჯი (Nigella). ერთლწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ხარისძირასებრთა ოჯახისა. 25-მდე სახეობა ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში. სსრკ-ში (ევრ. ნაწილი, კავკასია, შუა აზია) 11 სახეობა გვხვდება, მათგან საქართველოში — 5. N. sativa-ს თესლებს საკაზმსანელებლად ხმარობენ. დამასკური ს. (N. damascena) დეკორატიულია, მოლურჯო-მოიისფრო ან თეთრი ყვავილები აქვს. ჩვენში მხოლოდ ბიმერეთსა და კახეთში იზრდება. გვხვდება დანაგვიანებულ ადგილებში, ბაღებში, ვენახებში, ზოგჯერ ჟანგში. ორივე სახეობა თაფლოვანი და სამკურნალოა (ხმარობენ ხალხ. მედიცინაში).

„სოიუზი", დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ფრენისთვის განკუთვნილი საბჭ. მრავალადგილიანი კოსმ. ხომალდების სერიის სახელწოდება; ამ ხომალდების მომზადებისა და გაშვების პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება 1967 დაიწყო. „სის" დანიშნულებაა დედამიწის ახლო კოსმ. სივრცეში მრავალი ამოცანის გადაწყვეტა: ავტონ. ნავიგაციის, მართვის, დაახლოების, შეპირაპირების, დედამიწისახლო ორბიტული სადგურების შექმნისა და მომსახურების პრინციპთა შემოწმება; ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივი კოსმ. ფრენის ზემოქმედების შესწავლა; სახ. მეურნ. საჭიროებისათვის კოსმოსიდან დედამიწის გამოკვლევის მეთოდების დახვეწა; სამეცნ.-ტექ. და სამეცნ. ამოცანების წატარება კოსმ. სივრცეში.

„ს." სერიის ხომალდების მაქს. მასაა 6,8 *ტ*, მაქს. სიგრძე 7,5 *მ*, მაქს. დიამეტრი 2,72 *მ*, საცხოვრებელი ნაკეთურების დიამეტრი 2,2 *მ*, მათი საერთო მოცულობა 10 $მ^3$, მზის ბატარეებიანი პანელების განივი 8,37 *მ*. ხომალდი 3 ძირითადი ნაკეთურისგან შედგება. იგი შეიცავს ორიენტირებისა და მართვის სისტემას, მიახლოებისა და კორექციის ძრავათა სისტემას, რადიოკავშირის, ელექტრონკვების, შეპირაპირების, დედამიწაზე დაშვების, საბორტო აპარატურისა და მოწყობილობების მართვის და სხვ. სისტემებს.

დასაშვები აპარატი (და) განკუთვნილია ეკიპაჟის მოსათავსებლად ხომალდის გაშვების, ორბიტაზე მართვისა და ატმოსფეროში და დედამიწაზე დაშვების მონაკვეთებზე. იგი პერმეტული ნაკეთურია; აქვს ორი გვერდითი მიმოხილვისა და ერთი ოპტ. სამიზნებელ-ორიენტატორიანი ილუმინატორი. კორპუსი თბოდამცველი ფენითაა დაფარული. და-ში განლაგებულია კოსმონავტების პულტი, სამართავი სახელურები, ხელსაწყოები, ძირითად და დამხმარე სისტემათა მოწყობილობა, კონტეინერები უკან დასაბრუნებელი სამეცნ. აპარატურისათვის, პროდუქტების, მედიკამენტებისა და სხვ. მარაგი.

ორბიტული მოდული (ომ) გამოიყენება სამუშაო ნაკვეთურად სამეცნ. ექსპერიმენტების ჩატარებისას, ეკიპაჟის დასასვენებლად და სხვა ხომალდში გადასასვლელად. ომ ცილინდრით შეერთებული ორი ნახევარსფეროა. აქვს 3 მიმოხილვის ილუმინატორი. ქვედა ნაწილში მოთავსებული ლიუკი ომ-ს და-თან აერთებს, გვერდითი ლიუკი გამოიყენება სასტარტო მოედანზე ხომალდში ეკიპაჟის ჩასაყდომად. ომ-ში არის მართვის პულტი, სხვადასხვა სისტემის ხელსაწყოები, სამეცნ. აპარატურა.

სამოწყობილობო-აგრეგატულ ნაკვეთურში განლაგებულია ფრენის უზრუნველმყოფი სისტემები და ძირითადი აპარატურა; შედგება გადასასვლელი, სამოწყობილობო და აგრეგატული სექციებისგან. პირველ მათგანში, რ-იც და-ს სამოწყობილობო სექციასთან აერთებს, არის 10 ძრავა (თითოეულის წევაა 100 *ნ*) და საწვავის ბაკები; მეორეში — მოძრაობისა და საბორტო მოწყობილობების მართვის, დედამიწასთან რადიოკავშირის, რადიოტელემეტრიისა და სხვა სისტემები, აგრეგატულ სექციაში კი — დაახლოებისა და კორექტირების ძრავას დანადგარი (თითოეული ძრავას წევაა 2 *კნ*, აქვს საწვავის ბაკები და ორკომპონენტიანი საწვავის მიწოდების სისტემა). ამ სექციას უკავშირდება თერმორეგულირების, ორიენტირების, ელექტროკვების და სხვა სისტემები. ყველა ნაკვეთური დაფარულია ეკრან-ვაკუუმური თბოიზოლაციით.

შესაპირაპირებელ მოწყობილობას „სზე" მაშინ აყენებენ, როცა იგი ერთჯერადი გამოყენების სატრანსპ. ხომალდია. ეს მოწყობილობა შთანთქავს დაჯახების ენერგიას და თანამიმდევრულად უზრუნველყოფს პერმეტულ შეპირაპირებას. შედგება აქტ. და პასიური შესაპირაპირებელი აგრეგატებისაგან (პირველი სატრანსპ. ხომალდზეა, მეორე — ორბიტულ სადგურზე).

ხომალდის მოძრაობის ორიენტირებისა და მართვის სისტემა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ორიენტაციის შექმნასა და ორიენტირებული მდგომარეობის ხანგრძლივ შენარჩუნებას, აგრეთვე მართვას მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე; მუშაობს როგორც ავტომ., ისე ხელის რეჟიმით.

სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემა მოიცავს და-ისა და ომ-ის ატმოსფეროს რეგენერაციის სისტემას, საკვებისა და წყლის მარაგს, სანიტარულ მოწყობილობას. კოსმონავტები ხომალდის გაშვების, შეპირაპირება-განპირაპირებისა და დაშვების დროს სკაფანდრებით მუშაობენ, დანარჩენ მონაკვეთებში კი სკაფანდრებს ომ-ში ინახავენ.

რადიოტექ. საშუალებათა კომპლექსი უზრუნველყოფს ხომალდის ორბიტის პარამეტრთა განსაზღვრას, დედამიწასთან ორმხრივ სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირს, დედამიწაზე სატელევიზიო გამოსახულებათა გადაცემას და სხვ.

თერმორეგულირების სისტემა ინარჩუნებს საცხოვრ. ნაკვეთურებში 15—25°C ტემპ-რას და 20—70% შეფარდებით ტენიანობას (სამოწყობილობო ნაკვეთურში— 0—40°C).

1967—84 დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაუშვეს 52 პილოტირებული და უპილოტო ხომალდი „ს." (იხ. ცხრილი). ორბიტების დაშორება დედამიწიდან 200—400 *კმ*, ეკვატორთან დახრა≈52°, გარემოქცევის პერიოდი ≈ 90 წთ. ფრენების დროს შესრულდა მრავალი ამოცანა; ხომალდები შეუპირაპირეს ერთმანეთს, კოსმონავტები (ა. ელისეევი და ე. ხრუნოვი) გაბოვიდნენ სკაფანდრებით კოსმ. სივრცეში („ს.-4" და „ს.-5"); იფრინეს ჯგუფურად და ჩაატარეს სამეცნ. ექსპერიმენტები, მაგ., ლითონები შეა-

„სოიუზის" სერიის საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენის ცხრილი

ხომალდის სახელწოდება	გაშვებისა და დედამიწაზე დაბრუნების თარიღები	ეკიპაჟი	
		აფრენისას	დაშვებისას
„სოიუზ-1"	23. IV.—24.IV. 67	ვ. კომაროვი	„—"
„სოიუზ-2"	25. X.—28. X. 68	უპილოტო	„—"
„სოიუზ-3"	26. X.—30. X. 68	გ. ბერეგოვოი	„—"
„სოიუზ-4"	14. I.—17. I. 69	ვ. შატალოვი	„—"
„სოიუზ-5"	15. I.—18. I. 69	ბ. ვოლინოვი ა. ელისეევი ე. ხრუნოვი	„—"
„სოიუზ-6"	11. X.—16. X. 69	გ. შონინი ვ. კუბასოვი	„—"
„სოიუზ-7"	12. X.—17. X. 69	ა. ფილიპჩენკო ვ. ვოლკოვი ვ. გორბატკო	„—"
„სოიუზ-8"	13. X.—18. X. 69	ვ. შატალოვი ა. ელისეევი	„—"
„სოიუზ-9"	1. VI.—19.VI. 70	ა. ნიკოლაევი ვ. სევასტიანოვი	„—"
„სოიუზ-10"	23. IV.—25. IV. 71	ვ. შატალოვი ა. ელისეევი ნ. რუკავიშნიკოვი	„—"
„სოიუზ-11"	6. VI.—30. VI. 71	გ. დობროვოლსკი ვ. ვოლკოვი ვ. პაცაევი	„—"
„სოიუზ-12"	27. IX.—29. IX. 73	ვ. ლაზარევი ო. მაკაროვი	„—"
„სოიუზ-13"	18. XII. — 26. XII. 73	პ. კლიმუკი ვ. ლებედევი	„—"
„სოიუზ-14"	3. VII.—19. VII. 74	პ. პოპოვიჩი ი. არტიუხინი	„—"
„სოიუზ-15"	26. VIII.—28. VIII. 74	გ. სარაფანოვი ლ. დიომინი	„—"
„სოიუზ-16"	2. XII.—8. XII. 74	ა. ფილიპჩენკო ნ. რუკავიშნიკოვი	„—"
სოიუზ-17"	11. I. — 9. II. 75	ა. გუბარევი გ. გრეჩკო	„—"
„სოიუზ-18"	24. V.—26. VII. 75	პ. კლიმუკი ვ. სევასტიანოვი	„—"
„სოიუზ-19"	15. VII.—21. VII. 75	ა. ლეონოვი ვ. კუბასოვი	„—"
„სოიუზ-20"	17. XI. 75—16. II. 76	უპილოტო	„—"
„სოიუზ-21"	6. VII.—24. VIII. 76	ბ. ვოლინოვი ვ. ჟოლობოვი	„—"
„სოიუზ-22"	15. IX.—23. IX. 76	ვ. ბიკოვსკი ვ. აქსიონოვი	„—"
„სოიუზ-23"	14. X.—16. X. 76	ვ. ზუდოვი ვ. როჟდესტვენსკი	„—"
„სოიუზ-24"	7. II.—25. II. 77	ვ. გორბატკო ი. გლაზკოვი	„—"
„სოიუზ-25"	9. X.—11. X. 77	ვ. კოვალიონოკი ვ. რიუმინი	„—"
„სოიუზ-26"	10. XII. 77—16. I. 78	ი. რომანენკო გ. გრეჩკო	ვ. ჟანიბეკოვი ო. მაკაროვი
„სოიუზ-27"	10. I.—16. III. 78	ვ. ჟანიბეკოვი ო. მაკაროვი	ი. რომანენკო გ. გრეჩკო
„სოიუზ-28"	2. III. — 10. III. 78	ა. გუბარევი ვ. რემეკი	„—"
„სოიუზ-29"	15. VI.—3. IX. 78	ვ. კოვალიონოკი ა. ივანჩენკოვი	ვ. ბიკოვსკი ზ. იენი
„სოიუზ-30"	27. VI.—5. VII. 78	პ. კლიმუკი ზ. გერმაშევსკი	„—"
„სოიუზ-31"	26. VIII.—2.XI. 78	ვ. ბიკოვსკი ზ. იენი	ვ. კოვალიონოკი ა. ივანჩენკოვი
„სოიუზ-32"	25. II.—13. VI. 79	ვ. ლიახოვი ვ. რიუმინი	უპილოტო
„სოიუზ-33"	10. IV.—12. IV. 79	ნ. რუკავიშნიკოვი გ. ივანოვი	„—"
„სოიუზ-34"	6. VI.—19. VIII. 79	უპილოტო	ვ. ლიახოვი ვ. რიუმინი
„სოიუზ-ტ"	16. XII. 79—26. III. 80.	უპილოტო	„—"
„სოიუზ-35"	9. IV. — 3. VI. 1980.	ლ. პოპოვი, ვ. რიუმინი	ვ. კუბასოვი ბ. ფარკაში
„სოიუზ-36"	26. V. — 31. VII. 1980.	ვ. კუბასოვი ბ. ფარკაში	ვ. გორბატკო ფ. ტუანი
"სოიუზ ტ-2"	5. VI. — 9. VI. 1980.	ი. მალიშევი ვ. აქსიონოვი	„—"

ხომალდის სახელწოდება	გაშვებისა და დედამიწაზე დაბრუნების თარიღები	ეკიპაჟი	
		აფრენისას	დაშვებისას
„სოიუზ-37“	23. VII.—11. X. 1980.	ვ. გორბატკო ფ. ტუანი	ლ. პოპოვი ვ. რიუმინი
„სოიუზ-38“	18. IX.—26. IX. 1980.	ი. რომანენკო ა. მენდესი	„—“ „—“
„სოიუზ ტ-3“	27. XI. — 10. XII. 1980.	ლ. კიზიმი ო. მაკაროვი, გ. სტრეკალოვი	„—“
„სოიუზ ტ-4“	12. III.—26. V. 1981.	ვ. კოვალიონოკი, ვ. სავინიხი	„—“
„სოიუზ-39“	22. III. — 30. III. 1981.	ვ. ჯანიბეკოვი ჟ. გურაგჩა	„—“ „—“
„სოიუზ-40“	14. V. — 22. V. 1981.	ლ. პოპოვი დ. პრუნარიუ	„—“ „—“
„სოიუზ ტ-5“	13. V. — 27. VIII. 1982.	ა. ბერეზოვოი ვ. ლებედევი	ლ. პოპოვი ა. სერებროვი ს. სავიცკაია
„სოიუზ ტ-6“	24. VI.—2. VII. 1982.	ვ. ჯანიბეკოვი ა. ივანჩენკოვი ჟ. კრეტიენი	„—“ „—“ „—“
„სოიუზ ტ-7“	19. VIII. — 10. XII. 1982.	ლ. პოპოვი ა. სერებროვი ს. სავიცკაია	ა. ბერეზოვოი ვ. ლებედევი
„სოიუზ ტ-8“	20. IV. — 22. IV. 1983.	ა. სერებროვი გ. სტრეკალოვი ჟ. ტიტოვი	„—“ „—“ „—“
„სოიუზ ტ-9“	27. VI.—23. XI. 1983.	ვ. ლიახოვი ა. ალექსანდროვი	„—“ „—“
„სოიუზ ტ-10“	8. II.—11. IV. 1984.	ლ. კიზიმი ვ. სოლოვიოვი ო. ატკოვი	ი. მალიშევი გ. სტრეკალოვი რ. შარმა
“სოიუზ ტ-11“	3. IV. — 2.X. 1984.	ი. მალიშევი გ. სტრეკალოვი რ. შარმა	ლ. კიზიმი ვ. სოლოვიოვი ო. ატკოვი
„სოიუზ ტ-12“	17. VII. — 29. VII. 1984.	ი. ვოლკი ს. სავიცკაია ვ. ჯანიბეკოვი	„—“ „—“ „—“

შენიშვნა: 1976 წლის 6 აპრ. გაუშვეს „ს-ის“ ტიპის ხომალდი (კოსმონავტები ო. მაკაროვი და ვ. ლაზარევი), რიც ვერ გავიდა გაანგარიშებულ ტრაექტორიაზე და დაბრუნდა დედამიწაზე.



პ. თ. სოკოლოვი. „უცნობის პორტრეტი“, აკვარელი. ლიტერატურული მუზეუმი. მოსკოვი.

დულეს ვაკუუმისა და უწონობის პირობებში („ს.-6“, „ს.-7“, „ს.-8“); ჩაატარეს ასტროფიზ. დაკვირვებები („ს.-13“-ზე, „ორიონ-2“ სისტემის ტელესკოპებით), შეიმუშავეს საბორტო აპარატურის მუშაობის რეჟიმი („ს.-1“, „ს.-11“, „ს.-15“ და სხვ.), მონაწილეობა მიიღეს აშშ-სსრკ ერთობლივ კოსმ. ექსპერიმენტში „სოიუზ“—„აპოლონის“ პროგრამის განხორციელებაში („ს.-19“, 1975, 17 და 19 ივლ. შეპირაპირება), ჩატარდა ექსპედიციები ორბიტულ სადგურებზე: „სალუტ-4“, „სალუტ-5“, „სალუტ-6 “და „სალუტ-7“, დაკვირვებები მზეზე, პლანეტებსა და ვარსკვლავებზე, პოლარულ ციალსა და ვერცხლისფერ ღრუბლებზე („ს.-18“), აგრეთვე ბიოლ. კვლევა (უწონობასა და ხანგრძლივ ფრენასთან დაკავშირებული საკითხები), მზის ხელოვნური დაბნელება და სხვ.

„სოიუზ მოლოდიოჟი“, მხატვართა საზოგადოება „სოიუზ მოლოდიოჟი“, მხატვართა გაერთიანება რუსეთში. მუშაობდა 1909—17 პეტერბურგში. დამაარსებლები იყვნენ ლ. ჟევერჟეევი, ი. შკოლნიკი, ე. სპანდიკოვი. წესდება დამტკიცდა 1910. „ს. მ-ს“ არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა, მისი წევრები და გამოფენის ექსპონენტები სხვადასხვა სამხატვრო მიმართულებას ეკუთვნოდნენ: სიმბოლიზმს, სეზანიზმს, კუბიზმს, ფუტურიზმს. წევრები — ი. ანენკოვი, ნ. ალტმანი, დ. ბურლიუკი, ნ. კულბინი, ი. პუნი, ვ. ტატლინი, პ. ფილონოვი, ნ. უდალცოვა, მ. შაგალი, ა. ექსტერი და სხვ. გამოფენებში მონაწილეობდნენ „ბუბნოვი ვალეტისა“ და „ოსლიინი ხვოსტის“ დაჯგუფებათა წევრები. „ს. მ.“ დაკავშირებული იყო ლიტ. ფუტურიზმთან („გილეა“, დ. ბურლიუკისა და ვ. მაიაკოვსკის მეთაურობით). „ს. მ-მ“ მოაწყო 7 გამოფენა, გამოსცა ერთი თეორ. კრებული (4 გამოცემა, 1912—13).

„სოიუზჰეჩატ“, პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების ორგანიზაციებისა და საწარმოების სისტემა, რ-იც სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტროს გამგებლობაშია, შეიქმნა 1918 წ. 21 ნოემბერს. ქვეყნის ფარგლებში ხელისმოწერით ავრცელებს საბჭ. და საზღვარგარეთის გაზეთებს, ჟურნალებს, ყოველკვირეულს. ხელმოწერას პერიოდულ გამოცემებზე ღებულობენ კავშირგაბმ. ცალკეული განყოფილებები და სააგენტოები; „ს-ის“ მთავარი სამმართველო ყოველწლიურად გამოსცემს კატალოგებსა და პრეისკურანტებს.

სოიუზრაბი (მონღ., სიტყვასიტყვით—წყალობა, ბოძება), მემკვიდრეობით ნაწყალობევი მიწა, რ-საც აძლევდნენ სამხ. სამსახურისათვის ოქროს ურდოში, ასევე XIV ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე შუა აზიაში, ირანში, აზერბაიჯანში, ერაყში და XVI ს-იდან XIX ს. შუა წლებამდე ჩრდ.-დას. ინდოეთში. ს-ის მფლობელი სარგებლობდა საგადასახადო და სასამართლო შეუვალობით. ს-ად გაიცემოდა როგორც ერთი ან ორი სოფელი, ისე მთელი ოლქიც. XV ს-იდან ს. ეძლეოდა სას. პირებსაც. ს. იხსენიება ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების სპარს. ნაწილში როგორც ტექ. ტერმინი, რ-ითაც აღნიშნულია სიმონ I-ის მიერ მცხეთის საკათალიკოსო ტაძრისათვის სოფ. მოხისის შეწირვა. *რ. კიკნაძე.*

სოკალი, ქალაქი (1939-იდან) უკრ. სსრ ლვოვის ოლქში, მდ. ბუგის ხაპირზე. სოკალის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. სოკალიდან 2 *კმ*. კვების მრეწვ. საწარმოები, რკინაბეტონის ნაკეთობათა, ქიმ. ბოჭკოს, აგურის ქ-ნები, წინდების ფ-კა და სხვ.

სოკოები (Mycetes ანუ Fungi), ცოცხალ ორგანიზმთა დიდი ჯგუფი. მათ არ გააჩნიათ ფესვი, ღერო და ფოთლები, რის გამოც უმდაბლეს ან თალუსიან მცენარეებს მიაკუთვნებენ. არსებობს მოსაზრება, რომ ს. მთელი რიგი თვისებების გამო უნდა ითვლებოდეს ცოცხალ ორგანიზმთა დამოუკიდებელ სამყაროდ, გარდამავალ საფეხურად მცენარეულიდან ცხოველურისაკენ. ს. მოიცავს 100 ათ. სახეობას. მ. შ. გვხვდება შეუიარაღებელი თვალით უხილავი ორგანიზმები — მიკრომიცეტები და დიდნაყოფსხეულიანი ქუდიანი ს., აბედა ს. და სხვ. — მაკრომიცეტები. ს-ს არ გააჩნიათ ქლოროფილი, ისინი ჰეტეროტროფული ორგანიზმებია, საკვებად ხმარობენ მზა ორგ. ნივთიერებებს მკვდარი სუბსტრატიდან (საპროფიტები) ან ცოცხალი ორგანიზმებიდან (პარაზიტები). ის, რაც ს-ს სახელწოდებითაა ცნობილი, ნაყოფსხეულია, ვეგეტატიური სხეული კი სუბტრატშია ჩამალული და შედგება წვრილი, უმთავრესად თეთრი დატოტვილი ძაფებისაგან — ჰიფებისაგან, რასაც მიცელიუმი ეწოდება. მიცელიუმის სახეცვლილებები გვხვდება სხვადასხვა ჭიმის ან გამსხვილების სახით, როგორიცაა რიზომორფები, სკლეროციუმები და სხვ. ს. მრავლდებიან სპორებით და ვეგეტატიურად. სპორები თავისი წარმოშობის, ფორმისა და ფერის მიხედვით სხვადასხვანაირია; ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი, უფერული და შეფერილი, ძაფისებრი, ცილინდრული, თითისტარისებრი, კვერცხისებრი, სფეროსებრი, ვარსკვლავისებრი და სხვ.; ზედაპირი შეიძლება იყოს სადა, ხორკლიანი და სხვ., წარმოშობის მიხედვით — უსქესო და სქესობრივი, ეგზოგენური (გარეგანი) და ენდოგენური (შინაგანი). უსქესო წარმოშობის სპორებია კონიდიოსპორები, სპორანგიოსპორები, ქლამიდოსპორები, ოიდიოსპორები. სქესობრივი წარმოშობისაა ჩანთიანი და ბაზიდიუმიანი სპორები. ვეგეტატიური გამრავლება ხდება მიცელიუმისა და რიზომორფების ნაგლეჯებით, სკლეროციუმებით და დაკვირტვით. ს. დიდ როლს თამაშობენ ბუნებაში ნივთიერებათა ცვლის პროცესში, ორგ. ნივთიერებათა აქტ. დამშლელებია. მათი მრავალი პარაზიტული სახეობა მცენარის, ცხოველისა და ადამიანის სიშ დაავადებებს იწვევს. ზოგი ს. სასარგებლოა. მაგ., Penicillium-ს და Aspergillus-ს იყენებენ ვიტამინების, ანტიბიოტიკების, ლიმონმჟავას და სხვ. მისაღებად. საფუარებს ხმარობენ სპირტის გამოხდის, პურის ცხობისა და ლუდის წარმოებაში. ზოგიერთი ს. იჭმება. მიცელიუმის აგებულების, გამრავლების ხასიათისა და მთელი რიგი სხვა ბიოლ. თავისებურებების მიხედვით, ს. იყოფა შემდეგ ძირითად კლასებად: I კლასი — ქიტრიდიომიცეტები (Chytridiomycetes). მიცელიუმი ან არ გააჩნიათ, ან სუსტად აქვთ განვითარებული. უსქესო გამრავლება ხდება ერთშოლტიანი ზოოსპორებით. სქესობრივი გამრავლება კი სხვადასხვანაირია (იზოგამია, ჰეტეროგამია, ოოგამია ან ჰოლოგამია). II კლასი — ოომიცეტები (Oomycetes). კარგად განვითარებული არაუჯრედული მიცელიუმი აქვთ. უსქესო გამრავლება უმრავლესობისათვის ორშოლტიანი ზოოსპორებით ხდება. სქესობრივი პროცესი ოოგამიაა. არსებობს წყლის და ხმელეთის სახეობები. მ. შ. არიან საპროფიტები და ობლიგატური პარაზიტები. III კლასი — ზიგომიცეტები (Zygomycetes). ახასიათებს კარგად განვითარებული არაუჯრედული ან მომწიფებისას უჯრედებად დაყოფილი მიცელიუმი. უსქესო გამრავლება უმრავი სპორანგიოსპორებით ან კონიდიუმებით ხდება. სქესობრივი პროცესი ზიგოგამიაა. თითქმის ყველა ეს ს. მიწისზედა საპროფიტული სახეობაა, ზოგიერთი კი — მწერების პარაზიტი. IV კლასი — ჩანთიანი ს. (Ascomycetes). ერთ-ერთი დიდი და მრავალფეროვანი კლასია. მოიცავს 30 ათ-ზე მეტ სახეობას. მ. შ. გვხვდება მიკროსკოპული ს. და ისეთი სახეობებიც, რ-თა ნაყოფსხეული 20 *სმ* აღწევს. ახასიათებს მრავალუჯრედიანი პაპლოიდური მიცელიუმი. უსქესო გამრავლება კონიდიუმებით ხდება. სქესობრივი პროცესის შედეგად წარმოიქმნება ჩანთები, რ-ებშიც ჩვეულებრივ 8 ენდოგენური სპორა ვითარდება. ამ კლასში არის როგორც საპროფიტული, ისე პარაზიტული სახეობები. მრავალი მათგანი იწვევს სას.-სამ. კულტურების საშიშ დაავადებას. V კლასი—ბაზიდიომიცეტები (Basidiomycetes), ასევე დიდი კლასია. მოიცავს მიკრომიცეტებსაც და მაკრომიცეტებსაც. ახასიათებს მრავალუჯრედიანი მიცელიუმი. სქესობრივი პროცესის შედეგად წარმოიშობა ეგზოგენური ბაზიდიოსპორები. უსქესო გამრავლება — კონიდიალური ნაყოფიანობა იშვიათად ახასიათებს. ქ შედის როგორც საპროფიტული, ისე პარაზიტული სახეობები. VI კლასი — უსრულო ს. (Deuteromycetes ანუ Fungi imperfecti). მრავალუჯრედიანი მიცელიუმი აქვთ, მაგრამ მათი სქესობრივი ნაყოფიანობა უცნობია. მრავლდებიან მხოლოდ უსქესოდ — კონიდიუმებით. ეს კლასიც ერთ-ერთი უდიდესია, მოიცავს 30 ათ-მდე სახეობას, ყველა მიკრომიცეტია. მრ.ვალი მათგანი იწვევს სას.-სამ. კულტურების დაავადებას. *ი. ნაბუცრიშვილი.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 432.

სოკოლი, ქალაქი რსფსრ ვოლოგდის ოლქში. ნავმისადგომი მდ. სუხონის ნაპირზე. სოკოლის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. (სუხონა) ვოლოგდა—კოპოშის ხაზზე. ს-ისა და სუხონის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატები, რძის საკონსერვო, ტარა-ავეჯის კომბინატები, ქერამ. სადრენაჟო მილებისა და სარემონტო-მექან. ქ-ნები. ცელულოზა-ქაღალდის ტექნიკუმი, პედ. სასწავლებელი. ქ.ლაქი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1982).

სოკოლოვები, რუსი მხატვრები, მამა და შვილი. პეტრე თედორეს ძე [1791, მოსკოვი, — 3 (15). VIII. 1848, სოფ.. სტარი-მერჩიკი, ახლანდ. ხარკოვის ოლქი, უკრ. სსრ], ფერმწერი-აკვარელისტი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1800—10), ხატავდა პორტრეტებს. მის ნამუშევრებს, რ-ებმაც 1820 — 40-იან წლებში შეავიწროვეს პორტრეტული მინიატიურა, ახასიათებს წერის მსუბუქი მანერა და დინამიკა („ა. ო. ვიტალი, მოქანდაკე ი. პ. ვიტალის ცოლი"). პეტრე პეტრეს ძე [1821, პეტერბურგი, — 2 (14). X. 1899, იქვე], ფერმწერი და გრაფიკოსი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1840—43). უმთავრესად მუშაობდა პეტერბურგსა და მოსკოვში; იყო სამხ. კორესპონდენტი (1877—78 რუს.-ოსმ. ომში). მხატვრის აკვარელები (მ. შ. კომპოზიციები ნადირობისა და გლეხთა ცხოვრების თემებზე) გამოირჩევა ფერწერულობით. დაზგურ ილუსტრაციებს ურთავდა ლიტ. ტექსტებს, რ-ებსაც გარკვეული მხატვრული ღირებულება აქვთ (ი. ტურგენევის „მონადირის ჩანაწერები", 1867—95; ნ. გოგოლის „მკვდარი სულები", 1880—90 — ორივე აკვარელი).

სოკოლოვი ბორის სერგეის ძე [დ. 27. III (9. IV). 1914, ვიშნი-ვოლოჩოკი, ახლანდ. კალინინის ოლქი], საბჭ. გეოლოგი და პალეონტოლოგი, სსრკ მეცნ. აკად- აკადემიკოსი (1968). სოციალ. შრომის გმირი (1984). 1937 დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი. 1937—41 და 45—58 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ლენინგრ. უნ-ტში, 1960—75 ნოვოსიბირსკის უნ-ტში. 1975-იდან სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი და გეოლ., გეოფიზ. და გეოქიმ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანია. 1974-იდან საკავშ. პალეონტოლოგიური საზ-ბის პრეზიდენტი. 1980-იდან საერთაშ. პალეონტოლ. ასოციაციის პრეზიდენტი. ს-ის ძირითადი შრომები ეხება პროტეროზოური ერისა და კამბრიული პერიოდის ორგანული სამყაროს განვითარებისა და ბიოსტრატიგრაფიის საკითხებს. ლენინური პრემია (1967). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Органический мир Земли на пути к фанерозойской дифференциации, М., 1975; Табуляты палеозоя Европейской части СССР. Введение, ч. 1—4, Л.—М., 1951—55.

სოკოლოვი ვლადისლავ გენადის ძე [დ. 15 (28). XII. 1908, რიბინსკი, ახლანდ. ქ. ანდროპოვი], საბჭ. საგუნდო დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1966). 1936 დაამთავრა მოსკ. კონსერვ. საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (გ. დმიტრიევსკის კლასი). 1936-იდან ბავშვთა მხატვრული ალზრდის ცენტრ. სახლის ბავშვთა გუნდის მხატვრული ხელმძღვანელი. 1946—52 ა. ალექსანდროვის სახ. საბჭ. არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის ქორმაისტერი. 1956-იდან მოსკ. სახელმწ. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1929-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას სამუსიკო სკოლებსა და მოსკ. კონსერვატორიაში (1951-იდან პროფესორი, 1957—60 საგუნდო დირიჟორობის კათედრის გამგე). ს-ს ეკუთვნის წიგნი „გუნდთან მუშაობა" (1959). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „სა-პატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

სოკოლოვი თედორე თედორეს ძე [1841—1 (14). VI. 1909], რუსი ისტორიკოსი, ფილოლოგი და ეპიგრაფიკოსი. პეტერბ. უნ-ტისა (1864-იდან) და ისტ.-ფილოლ. ინ-ტის (1870-იდან) ძვ. ისტორიისა და კლასიკური ფილოლ. პროფესორი, რუს. ეპიგრაფიკული სკოლის ფუძემდებელი. მისი მოწაფეები იყვნენ ვ. ლატიშევი, ს. ჟებელიოვი და სხვ.

თხზ.: Труды, СПб., 1910.

ლიტ.: Жебелев С., Из университетских воспоминаний, «Анналы», 1922, кн. 2.

სოკოლოვი სერგეი ლეონიდის ძე [დ. 18. VI (1. VII). 1911, ევპატორია, ახლანდ. ყირიმის ოლქი], საბჭ. სამხედრო მოღვაწე, სსრკ მარშალი (1978). სკკპ წევრი 1937-იდან. ს-მა დაამთავრა გორკის ჯავშანსატანკო სასწავლებელი (1934), ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სამხ. აკადემია (1947) და გენშტაბის სამხ. აკადემია (1951). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იბრძოდა დასავლეთის და კარელ. ფრონტებზე. იყო სატანკო პოლკის შტაბის უფროსი, კარელიის ფრონტის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სარდლის სამმართველოს შტაბის უფროსი, ამავე ფრონტის 32-ე არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების მეთაური. მონაწილეობდა საბჭ. იმიერპოლარეთის დაცვასა და განთავისუფლებაში. ომის შემდეგ სამეთაურო თანამდებობებზეა ჯარებში. 1960—64 შტაბის უფროსი — მოსკ. სამხ. ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, 1964 ივლ-იდან ლენინგრ. სამხ. ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, 1965 ოქტ-იდან — სარდალი. 1967 აპრ-იდან სსრკ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, 1984 დეკ-იდან სსრკ თავდაცვის მინისტრი. 1966-იდან სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1968-იდან სკკპ ცკ-ის წევრი. სსრკ VII—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენებითა და მედლებით. აგრეთვე უცხოური ორდენებით და მედლებით.

სოკოლოვ-სკალია პაველ პეტრეს ძე [21. VI (3. VII). 1899, სტრელნა, ახლანდ. ლენინგრადის ფარგლებში, — 3. VIII. 1961, მოსკოვი], რუსი საბჭ. ფერმწერი და გრაფიკოსი. რსფსრ სახ. მხატვარი (1956), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1949). სკკპ წევრი 1952-იდან. სწავლობდა მოსკოვში, ი. მაშკოვის სტუდიაში (1914—18) და უმაღლეს სახელმწ. სამხატვრო-ტექ. სახელოსნოში (1920—22). გაერთიანება „ოკნა ტასისას" სამხატვრო ხელმძღვანელი (1941—45). ასწავლიდა მ. გრეკოვის სახ. სამხ. მხატვართა სტუდიაში (1935—41) და სხვ. ს.-ს-ს ისტ.-რევ. და საყოფაცხოვრებო სურათები გამსჭვალულია რომანტ. პათოსით („გზა გორკიდან", 1929, ვ. ი. ლენინის ცენტრ. მუზეუმი, მოსკოვი; ტრიპტიქი „შჩორსი", 1938, შეიარაღებულ ძალთა ცენტრ. მუზეუმი, მოსკოვი; „კრასნოდონელები", 1948, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949). ქმნიდა პანორამებსა და დიორამებს (ფ. რუბოს პანორამის „სევასტოპოლის დაცვის" აღდგენის ხელმძღვანელი, 1954), პლაკატებს („ოკნა ტასისათვის" 1941—45 დიდი სამამულო ომის პერიოდში; სსრკ სახელმწ. პრემია, 1942). მუშაობდა თეატრის მხატვრად და წიგნის ილუსტრაციის დარგში.

სოკოლოვსკი ვასილი დანიელის ძე [9 (21). VII. 1897, კოზლიკი, გროდნოს გუბ., — 10. V. 1968, მოსკოვი], საბჭ. სამხედრო მოღვაწე, საბჭ. კავშირის მარშალი (1946), საბჭ. კავშირის გმირი (29. IV. 1945). სკკპ წევრი 1931-იდან. წითელ არმიაში — 1918-იდან. სამოქალაქო ომის მონაწილე. დაამთავრა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხ. აკადემია (1921). 1921-იდან შუა აზიაში იბრძოდა ბასმაჩების წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის შემდეგ მთელი რიგი სამეთაურო თანამდებობები ეკავა წითელ არმიაში. დიდ სამამულო ომში (1941—45) იყო დასავლეთის ფრონტის, დას. მიმართულების, უკრ I ფრონტის შტაბების უფროსი. I ფრონტის სარდლის პირველი მოადგილე. ომის შემდეგ — გერმანიაში ს.-ბჭ. ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი და გერმანიაში საბჭ. სამხ. ადმინისტრაციის მთავარი უფროსი. 1949 მარტიდან სსრკ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. სკკპ ცკ-ის წევრი (1952—61), სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი 1961-იდან. სსრკ II — VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 8 ლენინის ორდენით, 10 სხვა ორდენით, 12 უცხოური ორდენითა და მედლებით.

სოკოტო (Sokoto), ქალაქი ნიგერიაში, სოკოტოს (მდ. ნიგერის შენაკადი) ხეობაში. სოკოტოს შტატის ადმ. ცენტრი. 99 ათ. მცხ. (1975). ცემენტის ქ-ნა, სასაკლაო. ქსოვილების შინამრეწველური წარმოება, ტყავის გამოყვანა. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. XIX ს-ში ს. იყო სახელმწ. სოკოტოს დედაქალაქი.

სოკოტრა (Socotra, Sokotra), კუნძულთა ჯგუფი ინდოეთის ოკეანეში (უდიდესია კ. სოკოტრა), გვარდაფუის კონცხის აღმ-ით (აფრიკა). შედის იემენის სდრ-ის შემადგენლობაში. ფართ. 3,6 ათ. კმ². უმთავრესად აგებულია კრისტ. ქანებით. სიმაღლე 1503 მ-მდე (კ. სოკოტრაზე). ჰავა ტროპ., მშრალი. იანვ. საშ. ტემპ-რა 21°C, ივლ. 28°C. ნალექები 250—300 მმ წელიწადში. მცენარეულობა ნახევარუდაბნოსია. აშენებენ ფინიკის პალმას, წვრილფეხა რქოსან საქონელს.

სოკოჭამიასებრნი (Mycetophagidae), წვრილი ხოჭოების ოჯახი. აქვთ რამდენიმე მილიმეტრი სიგრძის ოდნავ ამობურცული ოვალური სხეული, რ-იც წვრილი ბუსუსებითაა დაფარული. ს-თა მატლები წაგრძელებულია, წინა ნაწილში გაბრტყელებული. საკმაოდ დიდი თავი და მოკლე ფეხები აქვთ. სხეულის ბოლოზე კაუჭისმაგვარი, ზემოთ აშვერილი გამონაზარდებია. ოჯახში 20-მდე გვარის 186 სახეობაა; სსრკ-ში 11 გვარის 35 სახეობაა გავრცელებული, მათგან საქართველოში 13 სახეობა გვხვდება. ხოჭო ბინადრობს დამპალ სოკოებსა და მერქანში. იკვებება უმთავრესად მიცელიუმით.

სოკრატე (Sōkratēs) (ძვ. წ. 470/469, ათენი, — 399, იქვე), ბერძენი ფილოსოფოსი, *პლატონის* მასწავლებელი; ახ. ღმერთების ქადაგებისა და ახალგაზრდობის გარყვნის ბრალდებით ათენის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. ს-მ ეს სასჯელიც თავისი მოძღვრების გასამართლებლად გამოიყენა. მარქსმა მას „ხორცშესხმული ფილოსოფიის განსახიერება" უწოდა. ს-ს არ დაუტოვებია რამე თხზულება. მისი მოძღვრება შემონახულია მისივე მოწაფეების თხზულებებში და მთლიანად იგი ძნელი აღსადგენია. ს-ს დამსახურებაა სოფისტების აგნოსტიციზმის დაძლევა, დასაბუთების ინდუქციური წესისა და ცნების ზოგადი განსაზღვრის დადგენა. მისი აზრით, საერთოდ ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს თვით უარყოფილი დებულების ჭეშმარიტების უარყოფაცაა. ჩვენი ცოდნა მარად შეფარდებითია. ყოელისმცოდნე, ბრძენი მხოლოდ ღმერთია. ადამიანი შეიძლება მხოლოდ ფილოსოფოსი, ე. ი. სიბრძნის მეგობარი, მისი მაძიებელი იყოს. ამ ძიების მიზანია ცნების, როგორც ერთეულთათვის ზოგადისა და აუცილებლის დადგენა. ამოსავალია საკუთარი არცოდნის გაცნობიერება: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". შემეცნება, ანუ სოკრატესეული ინდუქცია, ხორციელდება კითხვა-პასუხის სახით. კითხვაში აშკარად ჩანს მოცემული ცოდნის მცდარობა და წინსელის აუცილებლობა. ყოველი პასუხი არცოდნის ახ. დონე იქნება. მოწინააღმდეგის მიერ სრულ ჭეშმარიტებად მიჩნეულში წინააღმდეგობის აღმოჩენა ე. წ. სოკრატესეული ირონიის ფორმით ხორციელდება. მართალია, პასუხი ს-მ თავადაც არ იცის, მაგრამ მისი უპირატესობა ისაა, რომ იცის მოცემული ცოდნის ნაკლოვანება. ნაკლის დანახვა გულისხმობს რაღაც შინაგან სანაზომს და ნიმუშს, საითკენაც მიისწრაფვის



ბ. სოკოლოვი.



ე. სოკოლოვი.




ს. სოკოლოვი.




ვ. სოკოლოვსკი.




სოკრატე. რომი. ეროვნული მუზეუმი.



სოლენოიდი. სოლენოიდში მაგნიტური ველის დაძაბულობის ძალწირები.



სოლი, ძალების მოქმედება სოლთან ერთად.



სოლი ფოტომეტრიული. ფოტომეტრიული სოლის სქემა.

შემეცნება. ამდენად შემეცნება თვითშემეცნებაა („შეიცან თავი შენი"). შემეცნების მიზანი (ცნება) ყველას თავის თავში აქვს, მაგრამ ბუნდოვნად, რაც ინდუქციამ ნათელი უნდა გახადოს. ს-მ გადააფასა რაციონალური ცოდნის შესაძლებლობანი, ყველაფერს მას უქვემდებარებდა. სათნოებაც ცოდნაა, ისევე როგორც სიმარტივე. ბოროტება უცოდინარობის გამო ხდება და თავისთავად არ არსებობს. საბოლოოდ ისიც სიკეთეს ემსახურება. ცოდნას ადამიანისათვის სასარგებლოსკენ მიუყავართ. სათნოება ნეტარებაცაა. ს-ს ეთიკა ევდემონისტურია. მისი მოძღვრებიდან მისმა მოწაფეებმა სხვადასხვა მხარე განავითარეს: კინიკოსებმა გაააბსოლუტეს ს-ს აზრები სიმდიდრის უმნიშვნელობისა და მოთხოვნილებათა შეზღუდვის თაობაზე; კირენაელებმა ს-ს ევდემონიზმის საფუძველზე სიამოვნება ცხოვრების ერთადერთ მიზნად გამოაცხადეს; მეგარელებმა ცნების განსაზღვრების მეთოდი ელეელთა დიალექტიკას დაუკავშირეს; პლატონმა კი ს-ს ინდუქციისა და ცნების თეორიის საფუძველზე ობიექტურ-იდეალისტური სისტემა ააგო.

ს-ს პედ. იდეებმა გავლენა მოახდინა როგორც ანტ. (პლუტარქე), ისე ახ. დროის (ი. ა. კომენსკი) პედაგოგიკის განვითარებაზე.

ლიტ.: პლატონი, ფედონი, თბ., 1966; ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია, თბ., 1973; დანელია ს., სოკრატის ფილოსოფია, ტფ., 1935; წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968. *გ. თევზაძე.*

სოლ, ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა. ძირითადი დო-მაჟორული დიატონური ბგერათრიგის V საფეხური. ასოითი აღნიშვნა — ლათ. G (იხ. *საფეხური, სოლმიზაცია*).

სოლანინი (<ლათ. solanum — ძაღლყურძენა), მცენარეული გლიკოზიდები. შეიცავენ სტეროიდულ ალკალოიდ სოლანიდინს, 1—3 მონოსაქარიდს (გლუკოზა, გალაქტოზა, რამნოზა). გვხვდება ძალლყურძენას (Solanum) გვარის მცენარეებში. განსაკუთრებით ბევრია კარტოფილის ყლორტების წვეროებსა და ყვავილებში. მწარე გემო აქვს, რითაც მცენარეები იცავენ თავს ცხოველებისაგან.

სოლარის ზეთი, ნავთობის ფრაქცია, ამოდუღების ტემპ-რა დაახლ. 240—400°C, შეიცავს გოგირდს არა უმეტეს 0,2%-ისა. გამყარების ტემპ-რა არა უმეტეს —20°C, აალების ტემპ-რა ღია ტიგელში არა ნაკლებ 125°C. ს. ზ-ს იყენებენ საწვავად დიზელებში, ტყვიის წარმოებაში.

სოლარიუმი, აეროსოლარიუმი (ბერძნ. aēr—ჰაერი და ლათ. solarius — მზიანი), სპეციალურად მოწყობილი ღია მოედანი, რ-იც განკუთვნილია მზის პირდაპირი ან გაფანტული სხივებით დასხივებისათვის; იხ. *აეროთერაპია* და *მზით მკურნალობა.*

„სოლდატსკაია პრავდა", რუსული ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი. გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წ. 15 აპრ-იდან 1918 წ. 6 მარტამდე. თავდაპირველად იყო რსდმპ (ბ) პეტროგრ. კომიტეტთან არსებული სამხ. ორგანიზაციის, შემდეგ — რსდმპ (ბ) ცკ-თან არსებული სამხ. ორგანიზაციის ორგანო. გაზეთში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის 60-ზე მეტი სტატია. *იველისის დღეების* (*1917*) შემდეგ ბურჟ. დროებითმა მთავრობამ გაზეთი დახურა. ივლ.-ოქტ.-ში გამოდიოდა „რაბოჩი ი სოლდატის" და „სოლდატის" სახელწოდებებით; 1918 წ. 27 მარტიდან რკპ (ბ) ცკ-ის დადგენილებით „ს. პ-ს", „დერევენსკაია ბედნოტასა" და „დერევენსკაია პრავდას" ნაცვლად გამოვიდა გაზ. „ბედნოტა".

სოლგოიდი (ბერძნ. sōlēn — მილი და eidos — სახე, სახეობა), ინდუქციურობის კოჭა, ჩვეულებრივ, ცილინდრულ ზედაპირზე დახვეული იზოლირებული გამტარის სახით, რ-შიც ელექტრული დენი გადის. ს-ის შიგა სიღრუის (რ-ის სიგრძე გაცილებით დიდია დიამეტრზე) შუა ნაწილში მაგნ. ველი ს-ის ღერძის პარალელური და ერთგვაროვანია. ამასთან, მისი დაძაბულობა დენის ძალისა და ხვიათა რიცხვის (მიახლებით) პროპორციულია. ს-ის გარე მაგნ. ველის ღეროსებრი მაგნიტის ველის მსგავსია (ნახ.). შიდა სიღრუეში რკინისგულარიანი ს. *ელექტრომაგნიტს* წარმოადგენს.

სოლეციზმი, ამა თუ იმ ენის სინტაქსისათვის შეუფერებელი ფორმა. ზოგჯერ პოეზიაში გაწზრახ იყენებენ ს-ებს რაიმე კოლორიტის მკვეთრი ხაზგასმისათვის, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა და არ იქცევა კანონად, პოეტიკურ ხერხად.

სოლვატაცია (<ლათ. solvo — ვხსნი), გამხსნელის მოლეკულების შეკავშირება გახსნილი ნივთიერების ნაწილაკებთან. თუ გამხსნელი წყალია, ს-ს *ჰიდრატაცია* ეწოდება. ს-ის დროს წარმოიქმნება *სოლვატები* (ჰიდრატები). ს-ს ადგილი აქვს *სორბციის* დროსაც.

ლიტ.: Эйтелис С. Г., Тигер Р. П., Кинетика реакции в жидкой фазе, М., 1973.

სოლვატები, მუდმივი ან ცვლადი შედგენილობის მოლეკულური დაჯგუფებები, რ-ებიც მიიღება გახსნილი ნივთიერების ნაწილაკისა (იონი, მოლეკულა და სხვ.) და გამხსნელის მოლეკულების ურთიერთქმედებით. თუ გამხსნელი წყალია, მაშინ ს-ს *ჰიდრატებს* უწოდებენ.

სოლზბერი (Salisbury) რობერტ ართურ ტოლბოტ გესკოინ-სესილ (Gascoyne-Cecil) (3. II. 1830, ჰეტფილდ-ჰაუზი, ჰარტფორდშირი,—22. VIII. 1903, იქვე), მარკიზი, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე. 1878—80 საგარეო საქმეთა მინისტრი, ბერლინის კონგრესის (1878) მონაწილე. ბ. *დიზრაელის* სიკვდილის შემდეგ — კონსერვატორების ლიდერი ლორდთა პალატაში (1881-იდან), შემდეგ კონსერვატიული პარტიის ლიდერი. 1885—86, 1886—92, 1895—1902 პრემიერ-მინისტრი. ერთდროულად (1900-მდე) საგარეო საქმეთა მინისტრი. *„ბრწყინვალე იზოლაციის"* პოლიტიკის მომხრე. ფაშოდის კრიზისისა (1898) და *ინგლისბურების და ბურების ომის* (1899—1902) ერთ-ერთი გამჩაღებელი. ეწინააღმდეგებოდა *ჰომრულის* გატარებას.

სოლზბერი (Salisbury), ზიმბაბვეს დედაქალაქ *ჰარარეს* სახელწოდება 1982 აპრ-მდე.

სოლთანიე, სოფელი ირანის ჩრდ.-დასში. ს-ში არის ირან. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ოლჯაითუ-ხოდაბანდეს (1305—13, ხუროთმოძღვარი ალი-შაჰი) მავზოლეუმი. 8-წახნაგა შენობა დაგვირგვინებულია მაღალი გუმბათით. კედლებში დატანებულია 2 გალერეა. მავზოლეუმი უხვადაა შემკული შორენკეცით, მოჭიქული ფილებით, კვეთილი სტუკითა და ტერაკოტით.

სოლი, სოფელი მესტიის რ-ნში (ლენჯვერის სოფსაბჭო), მდ. მესტიაჭალის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1320 *მ*, მესტიიდან 5 *კმ*. მესტიის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა. სოფ. ლემსიაში (2 *კმ*).

სოლი (ესპ. sol, სიტყვასიტყვით — მზე), ფულის ერთეული პერუში; შემოიღეს 1930 თებ. გირვანქის ნაცვლად. 1 ს. უდრის 100 *სენტავოს.*

სოლი, უმარტივესი იარაღი, რ-საც აქვს 1 ან 2 სამუშაო წახნაგი (დახრილი სიბრტყეების სახით). იყენებენ მჭრელ იარაღად (ღოჯი, თეზგი და სხვ.), მანქანების გასართი შეერთების დეტალად (იხ. *სოლური შეერთება*) და დასაყენებელ ან სარეგულირებელ დეტალად (მაგ., მანქანების მონტაჟის დროს). ს-ის განივკვეთია სამკუთხედი ან ტრაპეცია. ს-ით გაპობის დროს ნაკლები ძალა იხარჯება. ხახუნის მცირე კუთხისა და მცირე კოეფიციენტის (0,1) დროს განივი ძალა Q. (იხ. ნახ.) აღწევს $5P$-ს, სადაც P ს-ზე მოდებული გრძივი ძალაა; საერთოდ $Q=(1{,}25\div1{,}5)P$.

სოლი ფოტომეტრიული, სინათლის ნაკადის შესასუსტებელი მოწყობილობა, რ-საც *ფოტომეტრიაში* იყენებენ. წარმოადგენს სოლს, დამზადებულს აქრომატული ნივთიერებისაგან, რ-ის შთანთქმის კოეფიციენტი დამოკიდებული არ არის სინათლის ტალღის სიგრძეზე (სპეც. მინა, ჟელატინის აფსკი და სხვ.). ს-ის რომელიმე უბნის მეშვეობით სინათლის ნაკადის შესუსტების ხარისხი განისაზღვრება მისი ოპტ. სიმკვრივით: $D=\lg(\Phi_0/\Phi)$, სადაც (Φ_0/Φ) ს-ზე დაცემული და მასში გავლილი სინათლის ნაკადების ფარდობაა. ოპტ. სიმკვრივე შეიძლება იცვლებოდეს ს-ის გასწვრივ ან უწყვეტად იზრდებოდეს მისი სისქის (l) პროპორციულად (უწყვეტი ს.), ან საფეხურების მსგავსად განსაზღვრული სიდიდით (საფეხუროვანი ს.). ს-ს ახასიათებენ კონსტანტით (k). l-ისა და D-ს წრფივი დამოკიდებულება ს-ის დასაწყისსა და (O) და AC უბანს შორის მდებარე მანძილზე (x) საშუალებას იძლევა გაკეთდეს ს-ზე კონსტანტით (k) გრადიურებული თანაბარზომიერი სკალა (იხ. ნახ.).

სოლიგორსკი, ქალაქი (1963-იდან) ბელორ. სსრ მინსკის ოლქში, მინსკიდან 133 *კმ*. სოლიგორსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. 78 ათ. მცხ. (1983). კალიუმის კომბინატი „ბელორუსკალი", ასაწყობი რკინაბეტონის, რკინაბეტონის კონსტრუქციების ქ-ნები, ტრიკოტაჟის თეთრეულის ფ-კა. სამთო-ქიმ. ტექნიკუმი.

სოლიდარიზმი (ფრანგ. solidarisme< solidaire — ერთსულოვნად მოქმედი), იმპერიალიზმის ეპოქაში გავრცელებული სოციალ-პოლიტიკური დოქტრინა, რ-ის მიხედვითაც ყოველი საზ-ბის (უპირველესად ბურჟ. საზ-ბის) ცხოვრებისა და საქმიანობის პირველადი და ფუძემდებლური ფაქტორია მისი წევრების სოლიდარობა. ს. მიმართულია მარქსიზმის წინააღმდეგ, რ-იც საზ-ბის განვითარების მამოძრავებელ ძალად კლასთა ბრძოლას მიიჩნევს; ს. ეწინააღმდეგება კაპიტალ. ეპოქის ბურჟ. იდეოლოგიაში გაბატონებულ უკიდურეს ინდივიდუალისტურ კონცეფციას. კერძოდ, ს. კაპიტალ. საკუთრებას სოც. ფუნქციას—საზ-ბის სამსახურს აკისრებს. ს-ის იდეა საფუძვლად დაედო XX ს. დასაწყ. მთელ რიგ ბურჟ.-სოციოლოგიურ (ე. *დიურკჰაიმი*) და სახელმწ.-სამართლებრივ (ლ. *დიუგი*) მოძღვრებას. 60—70-იან წლებში ს-ის იდეამ გამისახულება პოვა ბურჟ. კონცეფციებში — „სოციალური პარტნიორობა", „შრომისა და კაპიტალის ასოციაცია" და ა. შ. ყველა ამ კონცეფციის ძირითადი აზრია „კლასთა თანამშრომლობისა და შერიგების" დასაბუთება.

სოლიდარული პასუხისმგებლობა, იხ. სტ. *სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.*

სოლიდი (ლათ. solidus, სიტყვასიტყვით — მყარი, მაგარი), 1. რომაული ოქროს მონეტა. 314 დამკვიდრდა იმპერიის დას. ნაწილში, ხოლო 324, იმპ. კონსტანტინე I-ის (306—337) დროს — მთელ სახელმწიფოში. შეცვალა აურეუსი. ამ დროიდან ს. ძირითადი სამონეტო და სანგარიშო ფულადი ერთეული იყო რომში და შემდეგ ბიზანტიაში. იჭრებოდა აგრეთვე ს-ის ნახევარი — სემისი და მესამედი — ტრიენსი. ს., რიგორც საანგარიშო ერთეული, იყოფოდა 24 *სილიკვად.* რომაული და ბიზანტ. ს. მოჭრილია კონსტანტინოპოლში, ანტიოქიაში, ნიკომედიაში, სიცილიაში და სხვ.

აღმოჩენილია საქართველოში (მცხეთა, აღაიანი, საჩხერე, ჩიბათი და სხვ.). 2. ფრანკ მეფეთა ოქროს მონეტა. მისი წონა თავდაპირველად რომაული ს-ის წონის ტოლი იყო. 584 დაეცა 3,88 გ-მდე. 3. XVI ს. ევროპაში ვერცხლისა და ბილონის, ხოლო XVII—XVIII სს-ში ბილონისა და სპილენძის ხურდა ფულის სახელწოდება. ტერმ. „ს". რამდენადმე შეცვლილი სახით დაედო საფუძვლად დას. ევრ. ქვეყნების მონეტების სახელწოდებებს (ფრანგ. სუ, იტალ. სოლდო და სხვ.).

ლიტ.: Зограф А. Н., Античные монеты, «Материалы и исследования по археологии СССР», 1951, в. 16; Казамашова Л. Н., Введение в античную нумизматику, М., 1969. გ. დუნდუა.

სოლიკამსკი, ქალაქი რსფსრ პერმის ოლქში, ნავმისადგომი მდ. კამის მარცხ. ნაპირზე. სოლიკამსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. 104 ათ. მცხ. (1983). დაარსდა XV ს. II ნახევარში. XVI—XVIII სს-ში იყო რუსეთში უდიდესი მარილგამოსახდელი ცენტრი. სამაზრო ქალაქი (1796-იდან). საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 31 იანვ. (13 თებ.). ქალაქი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1980). ს. ქიმ. მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრია. არის კალიუმის, ცელულოზა-ქაღალდის კომბინატები, მაგნიუმის ქ-ნა, მეფრინველეობის ფ-კა და სხვ. საღამოს ცელულოზა-ქაღალდისა და საავტ.-საგზაო ტექნიკუმები, ბერეზნიკის სამშენებლო ტექნიკუმის ფილიალი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ხუროთმოძღვრული ძეგლებია (უპირატესად მოსკ. ბაროკოს სტილისა). სამებისა (1684—97) და ჯვართამაღლების (1698—1709) ტაძრები, ღვთივგანცხადების ეკლესია (1687—95) და სამების მონასტრის ტაძრად მიყვანების (1687—1702) ეკლესია.

სოლ-ილეცკი, ქალაქი რსფსრ ორენბურგის ოლქში, მდ. ილეკის (ურალის შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. სოლ-ილეცკის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო კვანძი. იღებენ ქვამარილს. აგურის, მანქანათსაშ. ქ-ნები, ელევატორი. ს.-ი. ბალნეოლ. და ტალახით სამკურნ. კურორტია.

სოლისებრი დამწერლობა, ლურსმული დამწერლობა, დამწერლობის ძვ. სახეობა, რ-იც გავრცელებული იყო წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში. საწერ მასალაზე ოთხკუთხა ჯოხით დატანილი ნიშნები სოლის ფორმას იღებდა (აქედან სახელწ.). პირველად ს. დ. ჩამოყალიბდა შუმერში ძვ. წ. III ათასწლეულში. III ათასწლ. შუა ხანებში შუმერებმა ს. დ. გამოიყენეს სიტყვიერ-მარცვლოვანი დამწერლობისათვის, რ-შიც სიტყვის ფუძე აღინიშნებოდა იდეოგრაფიულად, ხოლო გრამატ. ელემენტები და დამხმარე სიტყვები — შესაბამისი მარცვლებით. დამწერლობის მიმართულება თავდაპირველად იყო ვერტიკალური და მარჯვნიდან მარცხნივ, შემდგომში — ჰორიზონტალური და მარცხნიდან მარჯვნივ. ს. დ. III ათასწლ. შუა ხანებში აქადელებმა (ბაბილონელებმა და ასურელებმა) გადაიღეს და თავიანთ ენას მიუსადაგეს. ს. დ. შუამდინარეთის ფარგლებს გასცდა: იგი გამოიყენეს ელამურის, ხურ.-იტულის, ხეთურ-ლუვიურის, ურარტულისა და ძვ. სპარსულისათვის. I ათასწლ. შუა ხანებიდან ს. დ. გამოვიდა მასობრივი ხმარებიდან, მას იყენებდნენ რელიგ. და იურიდ. ტექსტებისათვის შუმერულსა და აქადურში. თაიისებური ს. დ. შეიქმნა ქ. უგარითში (II ათასწლ.). ამ სემიტურმა ენამ იგი გამოიყენა როგორც ანბანური (კონსონანტური) დამწერლობა. გაანბანურების გზას დაადგა ძვ. სპარსული ს. დ.-ც, მაგრამ მისი განვითარება შეწყდა ძვ. წ. IV ს-ში და იგი ძირითადად მარცხენიდან მარჯვნივ დამწერლობად დარჩა. ს. დ.-ზე შექმნილია მდიდარი ლიტ-რა,—ისტ., რელიგ., მათ., მითოლ. ეპოსი და სხვ.

ლიტ.: Фридрих И., Дешифровка забытых письменностей и языков, пер. с нем., М., 1961.

სოლისიტორი (ინგლ. solicitor), დიდ ბრიტანეთში კატეგორია ადვოკატებისა, რ-ებსაც უფლება აქვთ დამოუკიდებლად აწარმოონ საქმე მხოლოდ ქვედა სასამართლოებში. ს. ძირითადად ამზადებს მასალას უფრო მაღალი რანგის ადვოკატებისათვის — *ბარისტერებისათვის*. ს. ასრულებს აგრეთვე იურისკონსულტის ფუნქციას დაწესებულებებსა და საწარმოორგანიზაციებში

სოლისტი (იტალ. solista <ლათ. solus — ერთი), ერთი ხმისა ან ერთი საკრაველისათვის დაწერილი ნაწარმოების შემსრულებელი (მუსიკის თანხლებით ან თანხლების გარეშე); ოპერის ერთ-ერთი პარტიის ან ბალეტის პირველი და მეორე, აგრეთვე სოლო ნომრების შემსრულებელი.

სოლიტერი (Cyclophyllidea), *თასმისებური ჭიების* რიგი. პარაზიტობენ ხერხემლიანების (თევზების გარდა) ნაწლავებში; ზოგი — ადამიანში (ძირითადი მასპინძელია). ს-ებს შორის აღსანიშნავია: ღორის ანუ შეიარაღებული ს. (Taenia solium), რ-იც პარაზიტობს ადამიანის ნაწლავებში; მისი სიგრძე 2—3, ზოგჯერ 8 *მ* აღწევს. მატლი-ონკოსფერა გამოიყოფა გარეთ მასპინძლის ექსკრემენტთან ერთად, ხვდება შორისული მასპინძლის (ღორი, ძაღლი, კატა) კუჭში, საიდანაც გადის სისხლძარღვებში. სისხლის ნაკადს მიაქვს კუნთში, სადაც წარმოქმნის ფინას. ადამიანი ავადდება თერმულად კარგად დაუმუშავებელი ფინოზური ხორცით; ხარის ანუ შეუიარაღებელი ს. (Taeniarynchus saginatus) 10 *მ*-მდე სიგრძისაა. მისი შორისული მასპინძელია მსხვ. რქ. საქონელი, ძირითადად — ადამიანი. ადამიანის სანში პარაზიტებია აგრეთვე ჯუჯა ს. (Hymenolepis nana) და *ექინოკოკი*.

სოლიფსიზმი (ლათ. solus — ერთი, ერთადერთი და ipse — თვითონ), სუბიექტური იდეალიზმის უკიდურესი ფორმა, რ-ის თანახმად, უარყოფილია ობიექტური რეალობის არსებობა. ს. ერთადერთი ნამდვილად არსებული ინდივიდ. ცნობიერებაა. არსებობს მხოლოდ „მე", ხოლო გარესამყარო, მ. შ. სხვა ადამიანებიც, მისი წარმოდგენაა. ასეთია ს-ის ძირითადი პრინციპი. ს. თანამიმდევრული ფორმით მეტად იშვიათად გვხვდება ფილოს. ისტორიაში. იგი იმდენად აშკარად ეწინააღმდეგებოდა მეცნიერებას და ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას, რომ მის პირდაპირ დაცვას თითქმის არავინ ცდილობდა. ამიტომ იგი უმთავრესად არსებობდა როგორც სუბიექტური იდეალიზმიდან გამომდინარე შედეგი.

ვ. ერქომაიშვილი.

სოლიჰალი (Solihull), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისში, დას. მიდლენდის კონურბაციაში. 112 ათ. მცხ. (1981). მანქანათმშ. (მ. შ. ავტომშენებლობა), მეტალურგია, მსუბუქი მრეწველობა.

სოლმიზაცია (მუს. ბგერებიდან — *სოლ* და *მი*), სოლფეჯო (მუს.). 1. ეიწრო მნიშვნელობით — შუა საუკ. დას. ევროპაში მელოდიის მღერა მარცვლებით ut, re, mi, fa, sol, la, რაც შემოიღო გვიდო დ' არეცომ ჰექსაქორდის საფეხურების აღსანიშნავად. ფართო მნიშვნელობით — მელოდიის მღერა (ნებისმიერი მეთოდით) ბგერათრიგის საფეხურების სახელწოდებების (შეფარდებითი ს.) ან ბგერათა აბსოლ. სიმაღლის აღმნიშვნელ სახელწოდებათა წარმოქმნით (აბსოლ. ს.). XVII ს-ში მარცვალი ut შეიცვალა *do*-თი. 2. ზოგჯერ ტერმინით „ს." აღნიშნავენ ნოტების რიტმულ წაკითხვას ინტონაციის გარეშე (სოლფეჯოსაგან განსხვავებით).

სოლნეჩნოგორსკი, ქალაქი (1938-იდან) რსფსრ მოსკოვის ოლქში, სენეჟსკოეს ტბის ნაპირზე, მოსკ.—ლენინგრ. საავტ. გზაზე. სოლნეჩნოგორსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. (პოდსოლნეჩნაია), მოსკოვიდან 65 *კმ* ლითონის ბადის, მინის ქ-ნები. ს-ის მახლობლად არის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები.

სოლნოკი (Szolnok), ქალაქი ცენტრ. უნგრეთში, სოლნოკის მედიეს ადმ. ცენტრი. 77 ათ. მცხ. (1981). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი, ნავსადგური მდ. ტისაზე. ქიმ., კვების, ცელულოზა-ქაღალდის, ხე-ტყის სახერხი და ავეჯის მრეწვ., სას.-სამ. მანქანებისა და ელექტროტექნ. ნაკეთობათა წარმოება; სამკერვალო ფაკები, დიდი რკინიგზის სახელოსნოები.

სოლნოკი (Szolnok), მედიე უნგრეთში, მდ. ტისის შუა დინებაში, ალფელდის ცენტრ., ჭელაზე გვალვიან ნაწილში. ფართ. 5,6 ათ. *კმ*² მოსახლ. 445 ათ. კაცი (1978). ადმ. ც.-ქ. სოლნოკი. მეურნეობა ინდუსტრ.-აგრ.; ხასიათისაა. მოჰყავთ უმთავრესად მარცვლეული კულტურები, აგრეთვე შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ბრინჯი. განვითარებულია სარძეო მეცხოველეობა, მელორეობა, მეფრინველეობა. მრეწვ. მთავარი დარგებია მანქანათმშ., ქიმ., კვების მრეწვ., იღებენ ნავთობსა და აირს. არის ფეხსაცმლის, ცელულოზა-ქაღალდის, ხის დასამუშ., სამკერვალო მრეწვ. საწარმოები.

სოლნცევო, ქალაქი (1971-იდან) რსფსრ მოსკოვის ოლქში. რკინიგზის სადგ. (სოლნეჩნაია) მოსკოვ—კიევის ხაზზე, მოსკოვიდან 16 *კმ*. 61 ათ. მცხ. (1983). ასფალტისა და ბეტონის ქ-ნები, სამკერვალო საწარმოები.

სოლო (იტალ. solo <ლათ. solus — ერთი, ერთადერთი) მუსიკაში, 1. მრავალხმიან ნაწარმოებში ეპიზოდი, რ-იც გამოკვეთილი მელოდიურობით გამოირჩევა. ს-ს ასრულებს ერთი მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი. 2. ერთი შემსრულებლისათვის განკუთვნილი საკრავი-



სოლიკამსკი. სამების ტაძარი. 1684—97.

სოლისებრი დამწერლობის ნიშნების ბანვითარება

ბეჭური ძ. წ. IV ათასწლ.	ბეჭური ძ. წ. III ათასწლ.	ძველი კურსივი ძ. წ. I ათასწლ.	ახალი კურსივი ძ. წ. I ათასწლ.	შუმერული მნიშვნელობა	ძველ- -ახალი მნიშვნელობა
				„წყალი"; „მდინარე"	„წყალი"; „მდინარე"
				„თევზი"; „ხორცი"	„თევზი"; „ხორცი"
				„ხე"; „ტყე"; „ხის ნივთი"	„ხე"; „ტყე"; „ხის ნივთი"
				„ფეხი"; „სიარული"; „გზა"; „დგომა"	„ფეხი"; „სიარული"; „გზა"; „დგომა"
				„ხელი"; „ჭერა"; „ტყუილი"	„ხელი"; „ჭერა"; „ტყუილი"
				„ბატკანი"; „ცხვარი"	„ბატკანი"; „ცხვარი"
	გამოვიდა ხმარებიდან	—	—	?	—
				„ცხოვრება"; „სული"	„ცხოვრება"; „სული"



ს. სოლოვიოვი.



ვ. სოლოვიოვ—სედოი.



მ. სოლომენცევი.

ერი პიესა (მუსიკის თანხლებით ან მის გარეშე).

სოლო (Solo), ინდონეზიის ქალაქ *სურაკარტის* მეორე სახელწოდება.

სოლოგუბი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე [8 (20). VIII. 1813, პეტერბურგი, — 5 (17). VI. 1882, ჰამბურგი], რუსი მწერალი, გრაფი, ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1837-იდან. მისი პროზაული ნაწარმოებები, რ-ებშიც მსუბუქი იუმორით იყო წარმოჩენილი მაღალი საზ-ბის ფუქსავატური ცხოვრება, იბეჭდებოდა ჟურნ. „სოვრემენნიკსა“ და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“. წერდა ვოდევილებს, რ-ებიც დამკვიდრდნენ რუს. სცენაზე, აგრეთვე მოთხრობებს, რ-თაგან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა „ტარანტასმა“. ს. ავტორია მოგონებებისა ა. კუმკინზე, ნ. გოგოლზე, მ. ლერმონტოვზე. 1850 სა-ქართველოში ჩამოვიდა. აქ სათავეში ჩაუდგა თეატრ. საქმეს, თანამშრომლობდა გაზ. „კაეკაზში“. საქართველოზე დაწერა რამდენიმე ნაწარმოები, რ-თაგან გამოირჩევა პიესა „ღამე ქორწილის წინ“.

ვ. შადური.

სოლოგუბი თედორე (ნამდვ. სახელი და გვარი თედორე კუზმას ძე ტ ე ტ ე რ ნ ი კ ო ვ ი) [17. II (1. III) 1863, პეტერბურგი, — 5. XII 1927, ლენინგრადი), რუსი მწერალი. პირველი ლექსები 1884 გამოაქვეყნა. უფროსი თაობის სხვა რუს სიმბოლისტებთან ერთად განიცადა ევრ. დეკადანსის ძლიერი გავლენა. ს-ის პოეტური ნაწარმოებები რ-ებსაც მის პროზაზე მაღლა აყენებდნენ (გამოსაკლისია რომანი „წვრილფეხა ეშმაკი“, 1907), დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მრავალგზის გამოიცა ცალკე წიგნად. 1913—14 გამოქვეყნდა ს-ის თხზულებათა ოცტომეული. 1913 მან ი. სევერიანინთან და თავის მეუღლესთან მწერალ ა. ჩებოტარევსკაიასთან ერთად ლიტ. საღამოები გამართა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ს. პოპულარული იყო „ცისფერყანწელთა“ წრეში მისი ლექსები თარგმნეს პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ და სხვ.

სოლოდი, ნიადაგის ტიპი, რ-იც წარმოიქმნება ბიცობი ნიადაგების ძლიერი დეგრადაციის შედეგად მათი პროფილი მკვეთრად დიფერენცირებულია შთანმთქმელი კომპლექსი შეიცავს Ca, Mg, Na, H, პროფილის ზედა ნაწილი მჟავეა, ქვედა — ტუტე. ს-ებს ხშირად ახასიათებს გაელებება. გარეგნულად ეწერ ნიადაგს ემსგავსება, ხოლო ქიმ შედგენილობით მისგან მკვეთრად განსხვავდება. ს. გავრცელებულია ტყე-ველისა და ველის ზონებში, აგრეთვე მშრალ და ნახევრად უდაბნოს ველებში ავსტრალიაში, აშშ-ში, კანადაში, სსრკ-ში (დას. ციმბირში). ს. იყოფა ტყის, ღელოს (კორდიან) და მდელო-ჭაობის (ტორფიან) ქვეტიპებად. ს. დაბალნაყოფიერია. მისი გავრცელების ადგილები ძირითადად ჩადაბლებულია. ხანგრძლივ ჭარბტენიან პირობებში გაძნელებულია დროული აგროტექ. ღონისძიებების გატარება, რის გამოც მელიორაციის გარეშე მიზანშეწონილი არ არის მათი ათვისება. იქ კი, სადაც უკეთესი რელიეფური პირობებია, შესაძლებელია სას.-სამ. კულტურების მოყვანა.

ვ. ლეჟავა.

სოლოვეცკის კუნძულები, კუნძულთა ჯგუფი თეთრ ზღვაში, ონეგის უბის შესასვლელთან, რსფსრ არხანგელსკის ოლქში. ფართ. 347 *კმ*². მოიცავს 6 კუნძულს. სანაპირო ხაზი შეჭრილ-შემოჭრილია. აგებულია გრანიტებითა და გნაისებით. რელიეფი ბორცვიანია, სიმაღლე 107 *მ*-მდე. კ-ების დიდი ნაწილი შემოსილია ფიჭვნარ-ნაძვნარით, ნაწილობრივ დაჭაობებულია. ბევრი ტბა. XV ს-ში სოლოვეცკის კ-ზე დაარსდა რუსეთში ერთ-ერთი უდიდესი *სოლოვეცკის მონასტერი*. 1974-იდან ს. კ. ისტ.-არქიტ. და ბუნებრივი მუზეუმ-ნაკრძალია.

სოლოვეცკის მონასტერი, დაარსდა XV ს. 20—30-იან წლებში, იგი დიდ მამულებს ფლობდა. ს. მ-ს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ციხესიმაგრეს. XVI—XVII სს-ში არაერთგზის მოიგერია ლივონიელებისა და შვედების შემოტევები (1571, 1582, 1611). XVI ს. დასასრ.— XX ს. დასაწყისამდე. ს. მ. იყო გადასახლების ადგილი. ს. მ-ის ხუროთმოძღვრული ანსამბლი განლაგებულია სოლოვეცკის კ-ზე. მონასტერს გარს უვლის ჯვარმაზარი დაუმუშავებელი ლოდებით (5 *მ* სიგრძისა) ნაგები მ-კომკიანი მძლავრი გალავანი (სიმაღლე 8—11 *მ*, სიგანე 4—6 *მ*, 7 კარით; 1584—94, ოსტატი ტრიფონი). მონასტერში საკულტო ნაგებობანი ერთ ღერძზეა განლაგებული (მთავარი ნაგებობები შეერთებულია დახურული თაღოვანი გადასასვლელებით). ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების მრავალი შენობაა მ. შ. სატრაპეზო (ერთსვეტიანი პალატა 500 *მ*²) მიძინების ეკლესიითურთ (1552—57), ფერისცვალების ტაძარი (1556—64), ხარების ეკლესია (1596—1601), ქვის პალატები (1615), წყლის წისქვილი (XVII ს. დასაწყ.), სამრეკლო (1777) და სხვ.

სოლოვიოვი ვლადიმერ სერგეის ძე [16 (23). I. 1853, მოსკოვი, — 31. VII (13. VIII). 1900, სოფ. უზკოე, ამჟამად მოსკოვის ფარგლებში], რუსი რელიგიური ფილოსოფოსი, პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. ლექციებს კითხულობდა პეტერბ და მოსკ. უნ-ტებში; ხელმძღვანელობდა ფილოს. განყ-ბას ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ს უარყოფდა რევ.-დემოკრ. მატერიალიზმს; ცდილობდა რელიგ.-ანთროპოლოგიური სახით გაეერთიანებია „დიად სინთეზში“ ქრისტ. პლატონიზმი, გერმ. კლასიკური იდეალიზმი (ძირითადად შელინგისა) და მეცნ. ემპირიზმი. ამტკიცებდა ადამიანის, როგორც ბუნების მზრუნველის მესიანურ მოწოდებას, აკავშირებდა ბუნებას და ღვთაებრივ სამყაროს. მისი პიროვნების მეტაფიზიკა, სოფიოლოგია (ყოფიერების ელემენტების „ღვთაებრიობისა“ და მათი საყოველთაო ჰარმონიული ერთიანობის ამსახველი მისტ.-სიმბოლური ცნება) და ესქატოლოგია რუს. იდეალიზმის საფუძველი გახდა. როგორც პოეტი, ს. მრავალ ასპექტში რუს. სიმბოლისტური მსოფლმხედველობისა და მისტ. პოეტიკის წინამორბედია.

ლიტ.: ბ აქრაძე ა., ადამიანის პრობლემა ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიაში, თბ., 1971.

სოლოვიოვი სერგეი მიხეილის ძე [5 (17). V. 1820, მოსკოვი, — 4 (16). X. 1879, იქვე], რუსი ისტორიკოსი, პეტერბ. აკად. აკადემიკოსი 1872-იდან. 1842 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტი. 1842—44 ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1845-იდან კითხულობდა რუს. ისტ. კურსს მოსკ. უნ-ტში, 1871—77 იყო ამავე უნ-ტის რექტორი. რუს. ისტ. პრობლემატიკას ეხება ბევრი მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი მათგან უმთავრესია 29-ტომიანი „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან“, რ-იც შეიქმნა ნ. *კარამზინის* „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ (ოფიც. ისტორიად ითვლებოდა) საპირისპიროდ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პეტრე I-ის მოღვაწეობას, მაგრამ ერთიანი კანონზომიერი ისტ. პროცესის მიმდინარეობას იდეალ. პოზიციებიდან ხსნიდა. მიუხედავად ამისა, ს-ის სამეცნ. მოღვაწეობამ დასაბამი მისცა ახალ, უმაღლეს ეტაპს რუს. ბურჟ. ისტორიოგრაფიის განვითარებაში და დიდი გავლენა მოახდინა რუს. შემდგომდროინდელ ისტორიოგრაფიაზე.

თხზ.: Собр. соч., СПб., [1901]; Записки, П., [1915]; История России с древнейших времен, кн. 1—15, М., 1959—66.

სოლოვიოვ-სედოი (ნამდვ. გვარი ს ო ლ ო ვ ი ო ვ ი) ვასილი პავლეს ძე [12 (25). IV, 1907, პეტერბურგი, — 2. XII. 1979, ლენინგრადი], საბჭ. კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1967). სოციალ. შრომის გმირი (1975). 1936 დაამთავრა ლენინგრ. კონსერვატორია (პ. რიაზანოვის საკომპოზიციო კლასი). ს.-ს. საბჭ. სიმღერის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატია. აღსანიშნავია მისი ლირ. სიმღერები („დაუკაცი, ჩემო ბაიანო“, 1941; „სალამო რეიდზე“; 1941; „ბულბულები“, 1944; „დიდი ხანი შინ არ ვყოფილვართ“, 1945; „დრო გავუდგეთ გზას“, 1945; „სადა ხართ ახლა, თანაპოლკელო მეგობრებო“, 1947; „მოსკოვური საღამოები“, 1956; „ბალადა ჯარისკაცზე“, 1960; „სიმღერა რუსეთზე“, 1971). ს.-ს-ს ეკუთვნის აგრეთვე სიმღერა-მარშები („ნახიმოველთა მარში“, 1949; „გზაში“, 1955), სახუმარო სიმღერები („მზიურ ველზე“, 1943; „მღერის გარმონი ვოლოგდის გაღმა“, 1947; „რა სჭირდება ჯარისკაცს“, 1965). ს.-ს. ავტორია ბალეტებისა: „ტარას ბულბა“ (1940, II რედ. 1955). «ნავსადგურს მოადგა „როსსია“» (1964); ოპერეტებისა: „ერთგული მეგობარი“ (1945). „ყველაზე სანუკვარი“ (1952). „ოლიმპიური ვარსკვლავები“ (1962); ვოკალური ციკლებისა, კინოფილმებისა და დრამ. სპექტაკლების მუსიკისა. 1948—64 იყო სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ლენინგრ. განყ-ბის თავ-რე, 1957—74 — სსრკ კომპოზიტორთა კავშირის, 1960-იდან რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის მდივანი. სსრკ III—V მოწვევების უმაღლესი საბჭოს ღეპუტატი. ლენინური პრემია (1959), სსრკ სახელმწ. პრემია (1943, 1947). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

სოლოვცოვის თეატრი, ერთ-ერთი საუკეთესო რუსული თეატრი. შეიქმნა 1891 კიევში ნ. სოლოვცოვის, ე. ნედელინის, ტ. ჩუჟბინოვისა და ნ. პესოცკის თაოსნობით თავდაპირველად სპექტაკლები ტარდებოდა ე. წ. თეატრ „ბერგონიეში“, 1898-იდან—ახ. სპეციალურად აშენებულ შენობაში. დაიდგა სპექტაკლები: გოგოლის „რევიზორი“ (1891). ლ. ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“ (1895), ჩეხოვის „ქორწილი“ (1891). „თოლია“ (1896), „ივანოვი“ (1897). „ძია ვანია“ (1898). „სამი და“ (1901). სოლოვცოვის სიკვდილის შემდეგ ანტრეპრიზას უძღვებოდა მისი მეუღლე — მსახიობი მ. გლებოვა, შემდეგ — ი. დუვან-ტორცოვი და მ. ბაგროვი. ს. თ-ის ახ. აყვავება დაკავშირებულია ნ. სინელნიკოვის ანტრეპრიზასთან. (1913—17). თეატრში მუშაობდნენ ი. კისელევსკი, ნ. როშჩინ-ინსაროვი, ლ. ლეონიდოვი, კ. მარჯანიშვილი, ს. კუზნეცოვი, ა. კრამოვი, ნ. რადინი, ი. სლონოვი, მ. ტარხანოვი, ნ. ხოდოტოვი, ი. პელტცერი და სხვ. 1919 ნაციონალიზაციის შემდეგ თეატრს დაერქვა უკრ. სსრ ლენინის სახ. მეორე დრამ. თეატრი.

სოლოლაკი, ს ა ლ ა ლ ა კ ი, თბილისის ერთ-ერთი ძვ. უბანი, ქალაქის სამხრ. ალმ. განაპირა მხარე. ამავე სახელწოდების მთის კალთაზე (ძირითადად თავსდება ახლანდ. კალინინის სახ. რ-ნის ტერიტორიაზე), ისტ. *გარეუბნის* შემადგენელი ნაწილი. ტოპონიმი „ს“. გაჩნდა XIX ს-ში. ამ ადგილის ადრინდ. სახელი იყო „ავანაანთხევი“. აქ იყო ქართველ წარჩინებულთა ბაღები. ს-ის განაშენიანება დაიწყო XIX ს. I ნახევარში. ევრ. სტილით ნაშენ და დაგეგმარებულ ს-ის უბანში ძირითადად ბურჟ. წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. 1847—51 გადაიხურა ს-ის ხევის ერთი მონაკვეთი (ახლანდ. კიროვის ქუჩა და ლენინის მოედნის რე-

გიონთ). აქვე აიგო ქარვასლა (ამ შენობაში იყო თბილ. პირველი საოპერო თეატრი„ 1847 შენობა დაიწვა).

ლიტ.: ბერიძე თ., ...და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977; მისივე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

თ. ბერიძე.

სოლოშენცევი მიხეილ სერგეის ძე [დ. 25. X (7. XI). 1913, სოფ. ერილოვკა, ლიპეცკის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1973, 1983). სკკპ წევრი 1940-იდან. დაამთავრა ლენინგრ. პოლიტექ. ინ-ტი (1940). 1940—54 მუშაობდა ქ-ნებში ლიპეცკში, ჩელიაბინსკის ოლქში, ჩელიაბინსკში (ოსტატი, საამქროს უფროსი, საკ. კპ (ბ) პარტორგი, ქ-ნის მთავარი ინჟინერი, დირექტორი). 1954—57 სკკპ ჩელიაბინსკის სახ. მეურნ. საბჭოს თავ-რე, 1956—62 ყაზ. კპ ცკ-ის ყარაღანდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1962—64 ყაზ. კპ ცკ-ის მეორე მდივანი. 1964—66 სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1966—71 სკკპ ცკ-ის მდივანი, სკკპ ცკ-ის განყ-ბის გამგე. 1971 ივლ-იდან რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. 1983-იდან სკკპ ცკ-თან არსებული პარტ. კონტროლის კომიტეტის თავ-რე. 1961 სკკპ ცკ-ის წევრი, 1971 ნოემბ. სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, 1983 დეკ. სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ V—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რსფსრ VII—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1966—71 სსრკ უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავ-რე. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სოლომონ I (1735 — 23. IV. 1784, ქუთაისი), იმერეთის მეფე 1752—84, ალექსანდრე V-ის ძე. ს. I-ის მიზანი იყო ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცება, დას. საქართველოს გაერთიანება, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობა და ოსმალთა მძლავრობისაგან ქვეყნის განთავისუფლება. მეფის ამ გეგმებს ვერ ურიგდებოდნენ დიდი თავადები, როსტომ რაჭის ერისთავმა და ლევან აბაშიძემ 1752 იგი იმერეთიდან გააძევეს, მაგრამ 1753 ს. I-მა მოახერხა ტახტის დაბრუნება. ოდიშის მთავრის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ს. I გაეყარა თავის პირველ ცოლს და ოტია დადიანის ასულ მარიამზე იქორწინა. მეფემ შემოიკრიბა დიდი თავადების მიერ შევიწროებული წერეთლები, წულუკიძეები, ჯაფარიძეები, იაშვილები და აგიაშვილები. მას მხარს უჭერდა ეკლესია და წვრილი აზნაურობა. ს-მა გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაათავისუფლა სამეფო გადასახადისაგან და მისი მხარდაჭერაც მოიპოვა. ს. I-მა აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, ამის გამო ოსმალებმა კავშირი შეკრეს ქართვ. თავადთა ერთ ჯგუფთან და იმერეთზე გაილაშქრეს. 1757 *ხრესილის ბრძოლაში* ს. I-მა დაამარცხა მტერი და ამ ბრძოლაში დაღუპული ლევან აბაშიძის მამული სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. ამავე წელს ს. I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გორში სამხ. დახმარების ხელშეკრულება დადეს, რითაც ს. I-ის ხელისუფლება უფრო მეტად გაძლიერდა. 1759 დეკ. ს. I-ის ინიციატივით მოწვეულ საეკლ. და საერო კრებებზე იმერეთის, ოდიშისა და გურიის სას. და საერო ხელისუფლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პირობა დადეს. გაძლიერებული ს. I-ის დასამორჩილებლად ოსმალებმა 1760-იდან არაერთი ლაშქრობა მოაწყვეს. 1760—63 მეფემ სამჯერ დაამარცხა ოსმალები. 1765 კი ოსმალებმა გაიმარჯვეს. 1768, ჩხართან ბრძოლის შემდეგ ს. I-მა დაიბრუნა ისევ ტახტი. 1769 სექტ. ს. I-მა ფიცით მინდობილი როსტომ რაჭის ერისთავი ოჯახიანად შეიპყრო; ერისთავსა და მის შვილებს თვალები დასთხარა, ყმა-მამული ჩამოართვა და რაჭის საერისთავო გააუქმა. რაჭის ერისთავების სამფლობელო სამეფო საკუთრებად გამოცხადდა. 1768 წ. 23 იანვ. ს. I-მა პეტერბურგში ელჩად გაგზავნა მაქსიმე ქუთათელი (აბაშიძე) და მფარველობა და ოსმალთა წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. რუს. მთავრობამ ს. I-ს ერეკლე II-თან ერთად დახმარება აღუთქვა. 1769 სექტ. ბოლოს გენ. გ. *ტოტლებენი* იმერეთში შევიდა. მისი დახმარებით ს. I-მა ოსმალთაგან გაათავისუფლა ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის ციხეები და თვით ქ. ქუთაისი. ამის შემდეგ ს. I-მა 1771 თურქოფილი გიორგი V გურიელი გადააყენა და მთავრად მისი ძმა, მამია IV, დასვა.

1774 წ. 10 ნოემბ. ს. I-მა იმპერატორ ეკატერინე II-ს იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღება სთხოვა, მაგრამ რუს. მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა, რადგან ამ დროს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება უკვე დადებული იყო და რუს. მთავრობას ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა.

ს. I განაგრძობდა საშინაო საქმეების მოწესრიგებას. მან ერთი პირის ხელში გააერთიანა ქუთაისის მოურავისა და სარდალბოქაულთუხუცესის სახელო. ს. I-ის ცენტრალისტურმა პოლიტიკამ ფეოდალთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. 1788 მათ მოაწყვეს შეთქმულება, რ-ის მიზანი იყო ს. I-ის გადაყენება და მისი მემკვიდრის — ალექსანდრეს გამეფება. მეფემ შეთქმულები დაამარცხა და მკაცრად დასაჯა. 60-იან წლებში კაცია II დადიანმა იმერეთის მეფის სუვერენიტეტი აღიარა. ს. I-გან მოკავშირის ჩამოშორების მიზნით ოსმალები 1779 მიწურულს თავს დაესხნენ ოდიშს. ს. I მიეშველა დადიანს. იმერეთისა და სამეგრელოს ლაშქარმა *რუხის ბრძოლაში 1779* დაამარცხა მტერი. ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად ს. I-მა რამდენჯერმე ილაშქრა ქვემო გურიაში. 1784 მარტში მისმა დამარცხებამ ქვემო გურიის განთავისუფლების გეგმა ჩაშალა. ამის შემდეგ ს. I მალე გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

წყარო: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч.2, СПб., 1869; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под ред. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 2, თბ., 1965; ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ), «თსუ შრომები», 1950, ტ. 41; მისივე, იმერეთის სამეფო 1768—1784 წლებში, «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1961, ტ. 3; კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тфл., 1896; Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 2, СПб., 1886.

თ. სოსელია.

სოლომონ II (1772 — 7. II. 1815, ტრაპიზონი), იმერეთის მეფე 1789—1810, სოლომონ I-ის ძმის, არჩილის, ძე. იზრდებოდა ქართლ-კახეთში დედასთან, ერეკლე II-ის ასულ ელენესთან. უმემკვიდრო სოლომონ I-მა სიცოცხლეშივე ტახტი ძმისწულს, დავითს, უანდერძა, მაგრამ იმერეთის გავლენიანმა ფეოდალებმა სოლომონ I-ის ცარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი დავითის ნაცვლად დავით გიორგის ძე (დავით II) გაამეფეს. ახ. მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკით უკმაყოფილო თავადების, ერეკლე II-ისა და ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანის დახმარებით *მათხოჯის ბრძოლაში* (1789) დავით არჩილის ძემ გაიმარჯვა და გამეფდა სოლომონ II-ის სახელით (სოლომონ I-ის პატივსაცემად). ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში ქვეყანაში ფეოდ. ანარქია სუფევდა; ს. II-ის პოზიცია მტკიცე არ იყო. დავით II ტახტისათვის ბრძოლას განაგრძობდა. ს. II დას. საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა; მან პირველ რიგში ოდიშის დამორჩილება სცადა, მაგრამ მიუხედავად მცირე წარმატებისა, მიზანს ვერ მიაღწია. რუს. მთავრობა ამ წინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ იყენებდა. 1804 წ. 25 აპრ. ს. II-მ რუს. ქვეშევრდომობა აღიარა (იხ. *ელაზნაურის შეთანხმება 1804*), მაგრამ ტახტის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად იბრძოდა. 1810 წ. 20 თებ. რუს. სარდლობამ ქუთაისში ს. II ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუს. მმართველობის შემოღება გამოაცხადა. ს. II მოტყუებით ჩაიგდეს ხელში და თბილისში ჩაყვანეს, მაგრამ იგი თბილისიდან გაიქცა და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. 1810 ს. II იმერეთში ღაბრუნდა და მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდა. შეიარაღებულ ბრძოლაში (იხ. *იმერეთის აჯანყება 1810*) ს. II დამარცხდა და თავი კვლავ ახალციხეს შეაფარა, საიდანაც ოსმალეთში გადავიდა. ემიგრაციაში იგი ცდილობდა უცხო ძალის გამოყენებით (ოსმალეთი, ირანი, საფრანგეთი) იმერეთში მეფობის აღდგენას, მაგრამ უშედეგოდ. დასაფლავებულია ტრაპიზონში წმინდა გიორგის სახ. ბერძნების ეკლესიის გალავანში.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 2, თბ., 1965; ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789—1802 წლებში, «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1962, ტ. 4; დუმბაძე შ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954; ხახანაშვილი ა., მეფე იმერეთისა სოლომონ II, ტფ., 1910. იხ. აგრეთვე სტ-თან სოლომონ I. *თ. სოსელია.*

სოლომონი (ძვ. ებრ. შელომო), (გ. დაახლ. ძვ. 928), *ისრაელის სამეფოს* მეფე ძვ. წ. 965—928. *დაკითის* ძე და თანამმართველი 967—965. მემკვიდრეობით მიიღო ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო. ქვეყანა დაყო 12 ადმ. ოლქად, რ-თა საზღვრები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვეოდა ცალკეული ტომების ტერიტორიებს. ჩაატარა არმიის რეორგანიზაცია, ქვეით ჯარს ცხენოსანთა მძლავრი კორპუსი დაუმატა. შექმნა რთული ადმ. აპარატი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა. ეწეოდა დიდ სამშენებლო საქმიანობას. ააშენა იაჰვეს ტაძარი და სამეფო რეზიდენცია იერუსალიმში. საზღვრებისა და მთავარი სავაჭრო გზების დასაცავად ქ-ების მისადგომებს ამაგრებდა და ახ. ციხე-სიმაგრეებს აგებდა. გაცხოველებული აღებმიცემობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან. ს-ის მეფობის დროს აყვავდა ისრაელის სამეფო: „და ქმნა მეფემან ვერცხლი იერუსალემს შინა, ვითარცა ქვა და კედრის ხე ქმნა, ვითარცა ლელვი, რომელი ველთა ზედა არს" (III მეფეთა, 10, 27), ტრადიცია ს-ს მიაწერს ბიბლიის წიგნების (ქებათა ქება, სოლომონის იგავები, ეკლესიასტე) ავტორობას.



სოლომონ I. პორტრეტი. უცნობი მხატვარი. XIX ს. დასაწყისი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.


სოლომონია ეთერ ბეგლარის ასული (დ. 15. V. 1931, სოფ. ნოსირი, ცხაკაიას რ-ნი), რესპუბლიკის მოწინავე მქსოველი, მრავალდაზგოსანი. სოციალ. შრომის გმირი (1960). სკკპ წევრი 1951-იდან. დაამთავრა საქართვ. ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექ. ინ-ტის საფეიქრო და მსუბუქი მრეწვ. ფაკ-ტი (1972). აბრეშუმის ფ-კაში მუშაობდა ჯერ მქსოველად (1947—



სოლომონის კუნძულების სახელმწიფო გერბი.



სოლონგოი.




სოლური შეერთება. ცილინდრული (ა) და კონუსური (ბ) შედაპირების შეერთება სოლით.

71). შემდეგ ტექნოლოგად (1971–72). ამჟამად ზ. რუხაძის სახ. თბილ. № 36 საშ. პროფტექ. სასწავლებლის დირექტორი. საქ. კომპარტიის XX–XXVI ყრილობების და სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი. აირჩიეს სსრკ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და საქ. სსრ VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. საქ. კპ XXII ყრილობაზე აირჩიეს საქ. კპ ცკ-ის სარევიზიო კომისიის წევრად, საქ. კპ XXIV ყრილობაზე კი – საქ. კპ ცკ-ის წევრად. საქ. კპ თბილ. საქალაქო კომიტეტისა და მშვიდობის დაცვის ქალთა პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1960).

სოლომონის კუნძულები (Solomon Islands), სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულებზე წყნარი ოკ. სამხრ.-დას. ნაწილში, ახალი გვინეის აღმ-ით. ყველაზე დიდი კ-ებია: გუოდალკენელი, მელეიტე, სან-კრისტობალი, ახალი გეორგია, სანტა-ისაბელი, შუეზელი. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 29,8 ათ. *კმ*², მოსახლ. 234 ათ. კაცი (1983, შეფასება). მოსახლ. უმრავლესობას შეადგენენ მელანეზიელები (94%; აერთიანებენ 70-ზე მეტ ეთნ. ერთეულს), აგრეთვე პოლინეზიელები, მიკრონეზიელები, პაპუასები, ევროპელები (ძირითადად ავსტრალიელები და ინგლისელები), ჩინელები და სხვ. უმრავლესობა ქრისტიანია (პროტესტანტი). დედაქალაქი – ჰონიარა (20,8 ათ. მცხ., 1982). ოფიც. ენა – ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 7 ივლ. – დამოუკიდებლობის დღე (1978). ფულის ერთეულია ს. კ-ის დოლარი. ადმინისტრაციულად იყოფა 4 ოლქად. ს. კ. დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მოქმედებს 1978 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი ეროვნ. პარლამენტი (ირჩევს მოსახლ. 4 წლის ვადით). სახელმწიფოს მეთაურია ინგლ. მეფე (დედოფალი), რ-ის წარმომადგენელია გენ.-გუბერნატორი. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა– იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი*, *სახელმწიფო დროშა*.

კ-ები უმთავრესად ვულკ. წარმოშობისაა. რელიეფი მთაგორიანია. სიმაღლე 2331 *მ*-მდე (კ. გუოდალკენელი). ჰავა სუბეკვატორულია, ნოტიო. საშ. თვიური ტემპ-რები 26–28°C. ნალექები 2300 *მმ*-იდან 7500 *მმ*-მდე წელიწადში. არის მოკლე წყალუხვი მდ-ები. კ-ების დიდი



ნაწილი შემოსილია მარადმწვანე ტყით. შედარებით მშრალ ადგილებში სავანაა, მდინარეთა ნაპირების გაყოლებით – მანგროვიანი. ბინადრობს ვირთაგვა, ღამურა, ნიანგი, ხვლიკი, გველი, გიგანტური ბაყაყი, ფრინველებიდან – ველური მტრედი, თუთიყუში და სხვ. 1568 ს. კ. აღმოაჩინა ესპ. ზღვაოსანმა ა. მენდანია დე ნეირამ, რ-იც ადგილ. მცხოვრებლებს ოქროში უცვლიდა სხვადასხვა ნივთებს. კუნძულებს მან „სოლომონის ოქროს ქვეყნის“ მიხედით სოლომონის კ-ები უწოდა. 1893-იდან იყო ინგლ. პროტექტორატი. 1974 აგვ-მდე ს. კ-ს განაგებდა წყნარი ოკ. დას. ნაწილის ინგლ. უმაღლესი კომისარი. 1976 იანვრიდან ს. კ-მა მიიღო შინაგანი თვითმმართველობის სტატუსი, 1978 წ. 7 ივლ-იდან – დამოუკიდებლობა. 1980 შეიქმნა სახ. ალიანსის პარტია (მმართველი პარტია).

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. იგი იძლევა მთლიანი ეროვნ. პროდუქტის დაახლ. 60%-ს. აწარმოებენ კოპრს, ქოქოსის ზეთს. მოჰყავთ კაკაოს მარცვალი, ბრინჯი, ბანანი, სორგო, სანელებლები. ვითარდება თევზჭერა, მეცხოველეობა (25 ათ-ზე მეტი სული მსხვ. რქ. საქონელი, 1983), ხე-ტყის მრეწველობა. აღმოჩენილია ბოქსიტები (დაახლ. 60 მლნ. ტ, 1983), ფოსფორიტები, სპილენძი. ოქრო, ნიკელი. არის ჯუთის გადასამუშ. საწარმოები. ამზადებენ აზბესტის ნაკეთობებს, პოლიპროპილენის ქსოვილებს, ტყავის ნაწარმს, წნელ ავეჯს, თამბაქოს ნაწარმს, თევზის კონსერვებს. მაგარსაფრიანი საავტ. გზების სიგრძეა დაახლ. 470 *კმ*. ავტოპარკში 2,4 ათ-ზე მეტი ავტომობილია (1983).

1982 ექსპორტმა შეადგინა 54,5 მლნ. ს. კ-ის დოლარი, იმპორტმა – 58 მლნ. გააქვთ კოპრი, თევზი, ქოქოსის ზეთი, ხე-ტყე. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, სასურსათო საქონელი, სათბობი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: ავსტრალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, სინგაპური.

სოლონგოი (Mustela altaica), ძუძუმწოვარი *კვერნისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 31 *სმ*, კუდისა – 15 *სმ*, მასა 400 *გ* აღწევს. აქვს მოქნილი, დაბალი სხეული, მოკლე ბეწვი. ფერად მოყვითალო-ქარცია, თავი – მომურო-რუხი. გვხვდება აზიაში (ჩრდ. ნაწილის გარდა), სსრკ-ში – ყაზახეთში, შუა აზიაში, ალთაიზე და სამხრ. ზღვისპირეთში. იკვებება პატარ-პატარა ხერხემლიანებით და მწერებით. ზოგან ზიანი მოაქვს ონდატრების მეურნეობისათვის. ს-ის სარეწაო მნიშვნელობა მცირეა.

სოლონები, ჩინეთში ევენკების შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ტომი. ცხოვრობენ ჩინეთში – შიგა მონღოლეთსა და სინძიან-უიღურის ავტონ. რ-ნში. ენა – ევენკურის დიალექტი. რელიგია – შამანობა. განიცადეს მანჯურიელთა და მონღოლთა დიდი გავლენა და ნაწილობრივი ასიმილაცია. ს-ის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, ნადირობა.

სოლონი (Sólōn) (ძვ. წ. 640/635–560/559), ბერძენი (ათენელი) პოლიტიკური მოღვაწე, რეფორმატორი, ერთ-ერთი უძველესი ატიკელი პოეტი. წერდა ელეგიებსა და იამბებს. ტრადიცია შვიდ ბერძენ ბრძენს შორის იხსენიებს. წარმომავლობით კოდრიდების წარჩინებული, მაგრამ გაღატაკებული გვარიდან იყო. ეწეოდა საზღვაო ვაჭრობას. მისი ინიციატივითა და სარდლობით ათენმა მეგარას წაართვა და დაიმკვიდრა კ. სალამინი (ძვ. წ. VII ს. დასასრ.). 594 რეფორმების გასატარებლად ევპატრიდებსა და დემოსს შორის სოც. ბრძოლის პირობებში ს. *არქონტად* და ესიმნეტად აირჩიეს. პირველი, რაც მან გაატარა, იყო ე. წ. სისაქთეია (seisachtheia), „ტვირთის მოხსნა“ ანუ სავალო ვალების აყრა ღარიბთა მიწის ნაკვეთებიდან. ამ რეფორმით ს-მა გააუქმა სავალო კაბალა, რ-იც დემოსს აწვა ევპატრიდთაგან. ვალების გაუქმებასთან ერთად ს. კრძალავდა ვალში ბერძნის მიერ ბერძნის გაყიდვას. გაყიდული მოქალაქეებიც სამშობლოში დაბრუნდნენ. ს-ის კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო გვაროვნ. ცენზიის შეცვლა ქონებრივი ცენზით („ტიმოკრატია“). ათენის მოქალაქენი ქონების მიხედვით დაიყვნენ ოთხ კლასად (თანრიგად): პენტაკოსიომედიმნები (ხუთასასწყაოიანები), ტრიაკოსიომედიმნები (სამასასწყაოიანები), ზევგიტები და თეტები. ქონებად ითვლებოდა მიწიდან ნატურით შემოსავალი (ერთი მედიმნი შეიცავდა დაახლ. 30 *კგ*). ს-მა მოახდინა მონეტისა და ზომა-წონის უნიფიკაცია. ყოველ მშობელს ავალდებულებდა შვილისათვის ხელობა ესწავლებინა; წინააღმდეგ შემთხვევაში შვილს შეეძლო უარი ეთქვა მამის შენახვაზე. გააძლიერა ძვ. ეკლესია (სახ. კრება), თავის უფლებებში დატოვა არეოპაგი (უხუცესთა საბჭო), შექმნა ახ. ორგანოები – ბულე (ოთხასთა საბჭო) და ჰელიეა (მსაჯულთა სასამართლო). პოლიტ. ბრძოლაში გულგრილობისათვის, არააქტიურობისათვის ს. აწესებდა ატიმიას (ბოიკოტი, მოქალაქეობის აყრა). ს-ის კანონმდებლობა ზრუნავდა ზნეობაზე (ჯარიმა ბილწსიტყვაობისათვის, სიკვდილი გარყვნილებისათვის). ს-ის კანონმდებლობამ დააჩქარა გვაროვნ. წყობილების ლიკვიდაცია, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარება. *ლ. სანიკიძე.*

სოლოუხინი ვლადიმერ ალექსის ძე [დ. 14. VI. 1924, სოფ. ალეპინო, ვლადიმირის ოლქი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1952-იდან. ლიტ. მოღვაწეობა 1945 დაიწყო. დაამთავრა მაქსიმ გორკის სახ. ლიტ. ინ-ტი (1951). მისი პოეტური კრებულებია „წვიმა ტრამალზე“ (1953), „დედალი წერო“ (1959), „ცხოვრება მიწაზე“ (1965), „არგუმენტი“ (1972). პროზიდან აღსანიშნავია ნარკვევთა წიგნები: „ვლადიმირის შარაგზები“ (1957), „ცვრის წვეთი“ (1960), „მესამე ნადირობა“ (1967), პუბლიც. კრებულები „წერილები რუსული მუზეუმიდან“ (1966), „კენჭები ხელისგულზე“ (1978), რომანები და მოთხრობები. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Избр. произв., т. 1–2, М., 1974; Приговор, «Москва», 1975, № 1.

სოლოვეცკი ბაგრატ, XVII–XVIII სს. ქართველი მწიგნობარი, მთარგმნელი. მოღვაწეობდა მოსკოვში, არჩილ II-ის კარზე, სადაც 1692–1706 ბერძნულიდან ქართ. ენაზე გადმოიღო „ხრონოლრაფი“ ანუ მსოფლიო ისტორია დასაბამიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453-მდე). 1706 არჩილ მეფემ ს. გაგზავნა შვედებთან ომში ტყვედ ჩავარდნილ ბატონიშვილ ალექსანდრესთან სტოკჰოლმში.

სოლტ-ლეიკ-სიტი (Salt Lake City), ქალაქი აშშ-ის დას. ნაწილში, მდ. ჯორდანის ნაპირზე, დიდი მლაშე ტბის მახლობლად. იუტის შტატის ადმ. ცენტრი. 163 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 935 ათ. (1980). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი ტრანსკონტინენტურ გზებზე. სას.-სამ. და სამთოსამრეწვ. რ-ნის ცენტრი. ფერადი მეტალურგია, ნავთობგადასამუშ., კვების, ავიასარაკეტო, ქიმ. მრეწვ., სამთო და სატრანსპ. მოწყობილობის წარმოება; შავი და ფერადი ლითონების დამუშავება. დაარსდა 1847. უნ-ტი.

სოლური შეერთება, გასართი შეერთება, რ-იც შემოიჭირება ან რეგულირდება სოლის მეშვეობით. ძირითადად ს. შ. ხორციელდება წინასწარი ჭექით (დაბაბული ს. შ.); სოლის მცირე დახრის კუთხე უზრუნველყოფს შეერთების სიმ-

ჭიდროექსა და თვითდამუხრუჭებას, რაც ხელს უშლის სოლის გამოვარდნას. ს. შ. მარტივი, კომპაქტური შეერთებაა. იგი ადვილად ასაწყობ-დასაშლელია. განივი სოლით აერთებენ ცილინდრულ ან კონუსურ ზედაპირებს (ნახ.). ს. შ-ს ფართოდ იყენებენ ასაწყობ ლითონსაჭრელ იარაღებში საჭრისებისა და ჩასადგმელი დანების დასამაგრებლად, იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია კოროზია.

სოლუტრეს კულტურა, ზედა პალეოლითის ხანის არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო საფრანგეთისა და ჩრდ. ესპანეთის ტერიტორიაზე. შეცვალა *ორინიაკის კულტურა*. რადიოაქტიური ნახშირბადის მეთოდით თარიღდება ძვ. წ. XVIII—XV ათასწლეულებით. XIX ს. 60-იან წლებში პირველად გამოყო გ. მორტილიემ და აღმოჩენის ადგილის მიხედვით (Solutré, სონისა და ლუარის დეპარტამენტი) უწოდა ს. კ. დამახასიათებელია წნევითი რეტუშით დამზადებული კაჟის, ე. წ. სოლუტრეს ტიპის ჩასართები, რ-ებსაც დაფნის ან ტირიფის ფოთლის ფორმა აქვთ და ამოღარულებია. ნაწილს იყენებდნენ შუბის პირებად, ნაწილს — დანებად და საჭრისებად. ნაპოვნია აგრეთვე კაჟის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, წვეტანები, ყუნწიანი ნემსები, ხელოვნ. ნიმუშები და სხვ. ცენტრ. ევროპასა და სსრკ ევრ. ნაწილში აღმოჩენილია ს. კ-თან მსგავსების ცალკეული ნიშნები. საქართვ. პალეოლითისათვის დამახასიათებელი არ არის. ს. კ. შეცვალა *მადლენის კულტურამ*.

ლიტ.: Ефименко П. П., Первобытное общество, 3 изд., К., 1953; Bordes F., Le Paléolitique dans le monde, P., 1968.

სოლფატარი (იტალ. solfatara<sol?o— გოგირდი), გოგირდოვანი აირისა და გოგირდწყალბადის (წყლის ორთქლის, ნახშირორჟანგისა და სხვა აირების მინარევით) ჭავლი, რ-იც გამოიყოფა კრატერის კედლებსა და ფსკერზე არსებული ნაპრალებიდან, აგრეთვე ვულკანის კალთებიდან, ლავური და პიროკლასტური ნაკადებიდან. ს-ების ტემპ-რაა 100—300°C.

სოლფეჯო (იტალ. solfegio <მუს. ბგერებიდან *სოლ* და *ფა*) (მუს.), 1. სასწავლო საგანი, რ-იც ემსახურება მუსიკალური სმენის გამომუშავებას. ერთხმიანი და მრავალხმიანი ნაწარმოებების ნაწყვეტების ან სპეციალურად დაწერილი სავარჯიშოების სიმღერა უსიტყვოდ, ბგერის სახელწოდებების დასახელებით, აგრეთვე მუს. კარნახის მომენტში აღებერებული მუს. ნაწყვეტის სმენითი ანალიზი. 2. სპეც. ვოკალური სავარჯიშოები, უაირატესად ფორტეპიანოს თანხლებით, რ-ებიც ხმოვან ბგერებზე სრულდება (ეწოდება აგრეთვე *ვოკალიზი*).

სოლფთლოვანები (Sphenophyllales), გადაშენებულ დამუხლულღეროიან მცენარეთა რიგი. როგორც ჩანს, ლიანები ყოფილან, რადგან გრძელი, ძალიან წვრილი გამერჭებული ღერო ჰქონიათ (ზოგიერთ ფორმას — ქაცვებიც). თითოეულ მუხლში 6—12 ოლისებრი ფოთოლი რგოლურად ყოფილა განლაგებული. ცხოვრობდნენ გვიანდ. დევონურიდან ადრინდ. ტრიასულ პერიოდამდე.

სოლფორდი (Salford), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, დიდი მანჩესტერის საგრაფოში. 98 ათ. მცხ. (1981). მანჩესტერის ნავსადგურის მთავარი ნავმისადგომები. მანქანათაშ. (მ. შ. საფეიქრო, ელექტროტექ.), სამკერვალო, ქიმ., პოლიგრ., კვების მრეწველობა.

სოლფუგები (Solifugae), ფალანგები, ფეხსახსრიანთა რიგი *ობობასნაირთა* კლასისა. მათი სხეული (სიგრძე 1—7 *სმ*) შედგება თავმკერდის, 2-ნაწევრიანი მკერდისა და 10-ნაწევრიანი მუცლისაგან. აქვთ 6 წყვილი კიდური: პირველი — ქელიცერები, საკვების დასაქუცმაცებლად, მეორე — პედიპალპები, ეხმარებიან საკვების დაჭერაში, დანარჩენი 4 წყვილი სასიარულოა. სუნთქავენ ტრაქეებით. ცალსქესიანები არიან, მრავლდებიან კვერცხებით. ოჯახში 570-მდე სახეობაა, სსრკ-ში — 70-მდე, საქართველოში — 2 (Galeodes araneoides და Gyllipus caucasicus). ს. ბინადრობენ ცხელსა და მშრალ ადგილებში. ჩვენში მხოლოდ აღმ. საქართვ. ველებზე და ნახევრად უდაბნოებში არიან. იკვებებიან სხვადასხვა სახეობის უხერხემლოებით. მათი კბენა იწვევს ნაკბენი ადგილის ანთებას, მაგრამ შხამი არა აქვთ. *თ. მხეიძე.*

სომა (ბერძნ. sōma — სხეული), ტერმინი, რ-იც შემოიღო ა. *გაისმანმა* ორგანიზმის სხეულის აღსანიშნავად ჩანასახოვანი პლაზმისაგან განსხვავებით, რ-იც თაობიდან თაობას სასქესო უჯრედებით გადაეცემა. ვაისმანის თანახმად ს. გავლენას არ ახდენს ჩანასახოვანი პლაზმის თვისებებზე. აქედან გამომდინარეობს მოსაზრება, რომ პრინციპულად შეუძლებელია ორგანიზმის მიერ ინდივიდ. ცხოვრების პროცესში შეძენილ ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემა. სიტყვა *სომატური* აღნიშნავს სხეულისმიერ მოვლენებს და უპირისპირდება ფსიქიკურს.

სომა (Somma), 1. ნახევრად წრიული ფორმის ზვინული, ძველი კრატერის ნარჩენი, რ-იც ეკვრის ვეზუვის ახალ კრატერს. 2. ორმაგი ვულკანების ზოგადი სახელწოდება, რ-ებიც _სომა-ვეზუვის მსგავსად შედგება ძვ. დანგრეული ვულკანისა და მის *კალდერაში* ან *კრატერში* წარმოქმნილი ას. კონუსისაგან.

სომა (Somme), მდინარე საფრანგეთის ჩრდ. ნაწილში. სიგრძე 245 *კმ*, აუზის ფართ. 5,5 ათ. *კმ²*. ჩადის ლა-მანშის სრუტეში და ქმნის პატარა ესტუარს. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. შესართავთან წყლის საშ. ხარჯი დაახლ. 45 *მ³/წმ*. სანაოსნოა თითქმის მთელ სიგრძეზე. ს-ის ზემო და შუა დინებებში გაყვანილია არხები და აგებულია რაბები. მდინარის ნაპირზეა ქ-ები ამიენი და აბევილი.

I მსოფლიო ომის (1914—18) დროს, 1916 წ. 1 ივლ. — 18 ნოემბ., ს-ზე, ქ. ამიენის აღმ-ით, ინგლ.-საფრ. ჯარებმა განახორციელეს დიდი შეტევითი ოპერაცია, რ-ის მიზანი გერმ. თავდაცვის ფრონტის გარღვევა და ნუაიონის შ. ერილზე გერმ. არმიათა ჯგუფის ზურგში გასვლა *დყო*. გარღვევაში მონაწილეობდნენ ინგლ., მე-4 და საფრ. მე-6 არმიები (სარდალი ფ. ფოში). ცუდად ორგანიზებული ურთიერთმოქმედების, შეტევის შაბლონური ორგანიზაციისა და მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო მოკავშირეთა შეტევა ნელი ტემპით მიმდინარეობდა და $4^1/_2$ თვეში ისინი მხოლოდ 5—12 *კმ*-ით შეიჭრნენ გერმანელთა განლაგებაში. ოპერაციაში მონაწილეობდა მოკავშირეთა მხრიდან 50 და გერმანელთა მხრიდან 40 დივიზია. მოკავშირეებმა დაკარგეს 792 ათ. კაცი, გერმანელებმა — 538 ათ.

სომალელები, სომალის დრ-ში, ეთიოპიის სასაზღვრო რ-ნებში, აგრეთვე კენიასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხი. საერთო რაოდ. დაახლ. 4,3 მლნ. კაცი (1978, შეფასება). ენა განეკუთვნება ქუშიტურ ენებს. რელიგია — სუნიტური მიმართულების ისლამი. სომალის ნ.-კ-ის შიგა რ-ნებში ინარჩუნებენ გვაროვნ-ტომობრივი ყოფის ელემენტებს. ს-ის ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა (აქლემი და მსხვ. რქ. საქონელი). მიწათმოქმედება.

სომალი, ნახევარკუნძული აღმ. აფრიკაში, ფართ. დაახლ. 750 ათ. *კმ²*. ზედაპირის დიდი ნაწილი საფეხურისებრი პლატოა, სიმაღლე 500—1500 *მ*, მაქს. — 2416 *მ* (მთა შიმბირისი). ჰავა სუბეკვატორულია, ჩრდ-ით — ტროპიკული. ნალექები 100—600 *მმ* წელიწადში. მდინარეთა უმრავლესობა პერიოდულია. სანაპირო ზოლში არის უდაბნოები და ნახევარუდაბნოები, შიგა პლატოებზე — სავანა. ს-ის ზღვისპირა რ-ნები ეკუთვნის სომალის დემოკრ. რესპუბლიკას და ჯიბუტის. შიგა ნაწილი — ეთიოპიას.

სომალი ენა, სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახის ქუშიტურ ჯგუფში შემავალი ენა. გავრცელებულია სომალის დრ-ში, ეთიოპიის აღმ. და კენიის ჩრდ.-აღმ-ში. ს. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 4,9 მლნ. კაცი. ძირითადი დიალექტებია ისააკი, ისა, დაროდი, ჰავია და დიგილი. დამწერლობა ეფუძნება ლათ. ანბანს (1973-იდან).

ლიტ.: Жолковский А. К., Синтаксис сомали, М., 1971; Bell C. R. V., The Somali language, L., 1953.

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა, სომალი, სახელმწიფო ჩრდ.-აღმ. აფრიკაში, სომალის ნ.-კ-ზე. ჩრდ-ით აკრავს ადენის ყურე, აღმ-ით და სამხრ.-აღმ-ით — ინდოეთის ოკეანე. ფართ. 637,7 ათ. *კმ²*. მოსახლ. 5,4 მლნ. კაცი (1982, შეფასება). დედაქალაქი—მოგადიშო. ოფიციენები — სომალი და არაბული. ეროვნ. დღესასწაულებია: 1 ივლ. — დამოუკიდებლობის დღე (1960) და 21 ოქტ. — რევ. დღე (1969). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია სომალის შილინგი. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით (1985 აპრ.) 100 სომალის შილინგი = 2,41 მანეთს. ადმინისტრაციულად ს. იყოფა 16 ოლქად.

ს. დემოკრ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1979 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი—ეროვნ. კრება (ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევს პარლამენტი 6 წლის ვადით. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რ-საც მეთაურობს პრეზიდენტი.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.


ბუნება. ქვეყნის ცენტრ. ნაწილი 500—1500 *მ* სიმაღლის პლატოა, რ-ის ჩრდ.



სოლფუგები. სოლფუგა.



სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.



1. ომანის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა
2. ომანის არაბთა რესპუბლიკა

კიდეზე აღმართულია ცალკეული მასივები (მთა შიმბირისი, 2416 მ). პლატოს ჩრდ-ით და სამხრ.-აღმ-ით ვიწრო სანაპირო დაბლობებია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება პიეზოკვარცი, არის რკინის, ბერილიუმის, ტანტალის, ნიობიუმის, კალის, ურანის მადნის გამოვლინებები. სანაპიროზე იღებენ ილმენიტს.

პავა სუბეკვატორულია, გვალვიანი, ჩრდ-ით — ტროპ. უდაბნოსი და ნახევარუდაბნოსი. საშ. თვიური ტემპ-რები 25-იდან 32°C-მდეა. ნალექები 100-იდან 600 მმ-მდე წელიწადში. მუდმივი მდ-ებია ჯუბა და უაბი-შებელე, ბევრია მშრალი ხევი.

ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს მარცქლოვან-ბუჩქიან უდაბნოს. ნიადაგები მოწითალო-მურა და წითელ-მურაა. ოაზისებში იზრდება პალმა. ხეობებში ჭალის ტროპ. ტყეებია. ცხოველთა სამყაროდან ჭარბობს ბალახჭამია ძუძუმწოვრები — ანტილოპები, ზებრა, კამეჩი, ჟირაფი, მტაცებლებიდან — ლომი, ჯიქი, აფთარი, ტურა და სხვ. ბევრია მაიმუნი. მდინარეთა გაყოლებით ბინადრობს სპილო, მარტორქა, გარეული ღორი, მდ-ებში — ნიანგი, ბეჰემოთი. მდიდარია ფრინველების, ქვეწარმავლებისა და მწერების ფაუნა.

მოსახლეობა. ს-ს მოსახლ. უმრავლესობას შეადგენენ სომალელები. სამხრ. რ-ნებში ცხოვრობენ აგრეთვე ბანტუ ენათა ოჯახის ხალხები — ვაგოშა და სუაჰილი. ზღვისპირა ქ-ებში არაბები, ამჰარა, ინდოელები და ევროპელები (ძირითადად იტალიელები). რელიგია — სუნიტური მიმართულების ისლამი.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 85% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 8 კაცი 1 კმ²-ზე (1982). განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული (დაახლ. 50 კაცი 1 კმ²-ზე) მდინარეთა ხეობები და სანაპირო. მნიშვნელოვანი ქ-ებია: მოგადიშო (დაახლ. 600 ათ. მცხ., 1982), ბერბერა, ჰარგეისა, კისიმაიო.

ისტორიული ნარკვევი. პირველი დასახლებები თანამედროვე ს-ს ტერიტორიაზე პალეოლითის ეპოქაში არსებობდა. VII—VIII სს-ში სომალის ნ.-კ-ზე გახშირდა მუსლიმანი არაბების მიგრაცია. XIX ს-ში სომალის ნ.-კ. ევრ. სახელმწიფოების მეტოქეობის ობიექტად იქცა. XX ს. დასაწყისში ნ.-კ-ზე 3 კოლონია იყო: ბრიტ. სომალილენდი, სომალის ფრანგ. სანაპირო (იხ. ჯიბუტი) და იტალ. სომალი.

იმპერიალ. დაყოფას და კოლონიზაციას ს-ს მოსახლეობამ აჯანყებით უპასუხა, რ-იც 1899 დაიწყო და 1920-მდე გაგრძელდა.

II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ს. სამარი მოქმედების ასპარეზად იქცა. 1943 მოგადიშოში დაარსდა სომალელი ახალგაზრდობის კლუბი, რ-იც 1947 ახალგაზრდა სომალელთა ლიგად (ასლ) გადაკეთდა. მალე ასლ ქვეყნის წამყვან პოლიტ. პარტიად იქცა. 1949 წ. 21 ნოემბ. გაეროს გენ. ასამბლეის გადაწყვეტილებით ყოფილი იტალ. ს. 10 წლით საერთაშ. მეურვეობის სისტემაში გადავიდა (ქვეყნის მმართველად იტალია დაინიშნა). 1956 სომალელთა მოთხოვნით იტალიელები იძულებულნი გახდნენ მოეწყოთ საკანონმდებლო კრების არჩევნები; არჩევნებში გაიმარჯვა ასლ-ს პარტიამ. ს-ში შეიქმნა პირველი ეროვნ. მთავრობა.

II მსოფლიო ომის წლებში ბრიტ. სომალილენდში შეიქმნა ს-ს ეროვნ. ლიგა (სელ), რ-იც ქვეყნის ერთიანობასა და დამოუკიდებლობას მოითხოვდა. 1946 შეიქმნა სომალელთა ეროვნ. პარტია (სეს). მზარდმა ეროვნ.-განმათ. მოძრაობამ აიძულა ინგლ. კოლონ. ხელისუფლება ჩაეტარებინა საკანონმდებლო კრების არჩევნები. არჩევნებში გაიმარჯვა სეს-მა. 1960 წ. 26 ივნ. ბრიტ. სომალილენდი დამოუკიდებლად გამოცხადდა. 1960 წ. 1 ივლ. ყოფილი ბრიტ. სომალილენდი და იტალ. ს. გაერთიანდა და შეიქმნა დამოუკიდებელი ს. დ. რ., რ-იც იმავე წელს მიიღეს გაეროში. ს. შევიდა აფრ. ერთობის ორგანიზაციაში (აეო). 1969 წ. 21 ოქტ. ს-ს არმიის პროგრ. ოფიცრების ჯგუფმა მოაწყო რევ. გადატრიალება. მთელი ძალაუფლება გადავიდა უმაღლესი რევ. საბჭოს (ურს) ხელში, რ-ის პრეზიდენტად აირჩიეს მოჰამედ სიად ბარე, ს. დემოკრ. რესპუბლიკა გახდა. 1970 გამოცხადდა, რომ ს. სოციალ. განვითარების გზას დაადგება და მის იდეოლოგიას საფუძვლად დაიდებს მეცნ. სოციალიზმი. მაგრამ 70-იანი წწ. II ნახევრიდან ს-ის მმართველი წრეების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში თავი იჩინა ნაციონალისტურმა ტენდენციამ. 1976 წ. 1 ივლ. ურს დაითხოვეს. 1977 ივლ-ში ს-ს შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ეთიოპიას. ს. პრეტენზიას აცხადებს ეთიოპიის სომალელებით დასახლ. ოგადენის რ-ნზე; ეს კონფლიქტი დღემდე გადაუჭრელია. 1977 ნოემბ. ს-ს მთავრობამ ცალმხრივი წესით გააუქმა სსრკ-სდრ-ის ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. 1979 აგვ-ში მიღეს ახ. კონსტიტუცია, რ-ის თანახმად ს. ერთპარტიული სახელმწიფოა. მმართველი პარტიაა სომალის რევ. სოციალ. პარტია (სრსპ). 1981 ოქტ-ში შეიქმნა ს-ს ხსნის დემოკრ. ფრონტი (სხდფ), რ-იც გამოდის ს-ში ცხოვრების დემოკრატიზაციის, ამერ. და სხვა უცხ. ბაზების ლიკვიდაციისა და მიუმხრობლობის პოლიტიკის მომხრედ. 1982 აგვ-ში ჩატარდა სრსპ-ის II ყრილობა, რ-მაც ვერ დასახა ქვეყანაში შექმნილი სოც.-ეკონ. კრიზისის შენელების რეალური გზები. 1983 ქვეყნის შიგნით მდგომარეობა დაძაბული იყო. ს-ს ჩრდ.-დას-ში გახშირდა სხდფ-ის შეიარაღებული რაზმების შეტაკებები მთავრობის ჯარებთან.

საგარეო პოლიტიკაში ს-ს მთავრობა განაგრძობს დას. ქვეყნებთან, აშშ-თან, კონსერვატორულ არაბ. რეჟიმთან ურთიერთობის განვითარებას. კვლავ დაძაბულია ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ეთიოპიასთან.

1960 წ. 11 სექტ. ს-მ დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრ კავშირთან.

ეკონომიკა. ს. აგრ. ქვეყანაა. ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. 1969-იდან გატარდა პროგრ. სოც.-ეკონ. ღონისძიებები. ნაციონალიზებულია უცხ. ბანკები, სამრეწვ. საწარმოების ნაწილი, ნავთობპროდუქტების გასაღება და განაწილება. სახელმწიფომ მონოპოლია აიღო მარცვლეულის, ბამბის, ტყავისა და სოფ. მეურნ. სხვა პროდუქტების შესყიდვასა და ექსპორტზე. სსრკ-ის დახმარებით აშენდა ხორცკომბინატი (კისიმაიო), რძის ქ-ნა (მოგადიშო), თევზსაკონსერვო ქ-ნა (ლას-კორბი), რეკონსტრუირებულია ბერბერის საზღვ. ნავსადგური და სხვ.

მუშავდება ს-ს ტერიტ. მხოლოდ 1,5%. მოსახლ. მთავარი საქმიანობაა მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა. 1982 ს-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 3,7, ცხვარი და თხა — დაახლ. 25, აქლემი — 5,5. მიწათმოქმედება თავმოყრილია ჯუბისა და უაბი-შებელეს ხეობებსა და შუამდინარეთში. მოჰყავთ (ათ. ტ, 1983): ბანანი დაახლ. 120, შაქრის ლერწამი — 16,5, სორგო, სიმინდი, ჩინ. კარტოფილი, მანიოკი, პარკოსნები, ბამბა. ს. იძლევა არომატული ფისების მსოფლიო წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს. სანაპირო რ-ნებში ვითარდება თევზჭერა.

საშთომობითი მრეწვ. უმნიშვნელოა. იღებენ ნიობიუმის მადანს, სუფრის მარილს. დამუშავებითი მრეწვ. პროდუქციის დაახლ. 90%-ს იძლევა სახელმწ. სექტორი, არის შაქრის, თევზ-, ხორცსაკონსერვო, რძის, ტყავის, ზეთსახდელი, საპნის, საფეიქრო, ლითონდასამუშ. საწარმოები. განვითარებულია შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოება.

რკინიგზა არ არის. საავტ. გზების სიგრძეა დაახლ. 11 ათ. კმ (1983). 1983 ავტოპარკში იყო 20 ათ-ზე მეტი ავტომობილი. მთავარი ნავსადგურებია: მოგადიშო, ბერბერა, კისიმაიო, მერკა. აეროპორტებია მოგადიშოში, ჰარგეისაში, ბერბერაში, კისიმაიოსა და სხვ. 1983 საგარეო-სავაჭრო დეფიციტმა შეადგინა 400 მლნ. დოლარი. ექსპორტის ღირებულების 90%-ს იძლევა ცოცხალი საქონელი, გააქვთ აგრეთვე ტყავი, ბანანი და თევზის კონსერვები. შეაქვთ სურსათი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მანქანა-მოწყობილობა და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, იტალია, იაპონია, საუდის არაბეთი და სხვა არაბ. ქვეყნები.

განათლება. 1973-იდან ქვეყანაში შემოღებულია სომალური დამწერლობა. 1974 მიღებულია კანონი სავალდებულო დაწყ. სწავლების შესახებ 7 წლამდე ბავშვები დადიან საბავშვო ბაღებსა და 2-წლიან ჟურანის სკოლებში. დაწყ. 4-წლიან და შუალედურ 4-წლიან სკოლებში სწავლება უფასოა. 1983 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 70 ათ-მდე მოსწ., საშ. სკოლაში — 28 ათ-მდე. 2—4-წლიანი პროფ. მომზადება ხორციელდება საშ. სკოლის ბაზაზე (სწავლობდა 2 ათ-ზე მეტი მოსწავლე). მოგადიშოში არის ვეტ., ჯანდაცვის, ინდუსტრ., პედ. და სხვა კოლეჯები, ეროვნ. უნ-ტი (1954). სამეცნ.-კვლ. მუშაობას კოორდინაციას უკეთებს კულტურის და უმაღლესი განათლების სამინისტრო. სამეცნ. დაწესებულებები ფუნქციონირებს სახელმწ. დაწესებულებებთან.

მოგადიშოში არის ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 1934; 8 ათ-ზე მეტი ტ.), ეროვნ. უნ-ტის ბ-კა და ეროვნ. მუზეუმი.

ს-ში გამოდის რამდენიმე გაზეთი და პერიოდული გამოცემა. ეროვნ. საინფორმაციო სააგენტო დაარსდა 1963. რადიომაუწყებლობა დაიწყო 1941-იდან.

კულტურა. კოლონ. ბატონობამ დიდი ხნით შეაფერხა ს-ს ლიტ-რის განვითარება. მხოლოდ 1973 შემოიღეს დამწერლობა (ლათ. ანბანის საფუძველზე). ჩაიწერა მდიდარი ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ნაწილი. XVI ს. პოეტია სულთანი ვიილ ვაალი. კლასიკური პოეზიის წარმომადგენელია რააგე უგასი (XVIII ს. ბოლო—XIX ს. დასაწყ.). აღსანიშნავია პოეტ სალაან არაბეის (დაახლ. 1890—1949), ეროვნ. გმირის მუჰამედ ბენ აბდალა საიდ ალ-ჰასანის (დაახლ. 1860—1920), მხედართმთავრის ისმაილ მირეს (1884—1950), პოეტ-მომღერლის აბდულაჰი კარშის (დ. 1924), დღეს მოღვაწე ალი ჯერირის, აბდი მოჰამედ ამინის, მოჰამედ ჰაჯი ისმაილ ბალაიუს და სხვათა შემოქმედება. ნურუდინ ფარაჰის (დ. 1945) პირველი სომალური რომანი დაიბეჭდა ინგლ. ენაზე ლონდონში 1970 (სერია „აფრიკელი მწერლები").

მიწათმოქმედი ტომები საცხოვრებლად იყენებენ მოწნულ, თიხით შელესილ კონუსისებრსახურავიან ქოხებს ან ფარდულის მსგავს კარკასულ ნაგებობებს. მომთაბარე ტომები — ოვალური ფორმის (ხის ტოტების, ბალახის, აქლემის ტყავებისა და ჭილოფისაგან) ასაწყობ ქოხებს. საპორტო ქ-ებში VIII ს-იდან შეშობებს აგებდნენ კირქვა-ნიუარებისაგან. აშენებენ აგრეთვე არაბ. ხუროთმოძღვრების ხასიათის შენობებს. XIX—XX სს. დასაწყისში ქ-ების ხუროთმოძღვრებაში გაბატონებული იყო ეკლექტიკა. 1960-იანი წლებიდან იწყება ქ-ების დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის მოწესრიგება (არქიტ. ჰ დირი და სხვ.). თანამედროვე სახვითი ხელოვნ.

ნაწარმოებებია ადგილ. თემაზე შესრულებული დეკორ. კომპოზიციები (აბდი მოპაშედი, სუფი). მხატვრული ხელოსნობის ტრად. დარგებია ნაძერწი კერამიკა, ხის ყოფითი ნივთები და წვნა.

სომალის დინება, ზედაპირული დინება ინდოეთის ოკეანის ჩრდ.-დას. ნაწილში, სომალის ნ.-კ-ის (აფრიკა) აღმ. ნაპირებთან. გამოწვეულია მუსონური ქარებით. სეზონურად იცვლის დინების მიმართულებას. ზამთარში მიმართულია სამხრ.-სამხრ.-დას-კენ, ეკვატორის სამხრით გარდაიქმნება პასატთშორის ეკვატორულ უკუდინებად. დინების სიჩქარეა 1—3 *კმ/სთ.* ს. დ-ით იწყება წყლის საერთო აღმოსავლეთური დრეიფი.

სომატოლოგია (ბერძნ. sōma, ნათ. ბრ. sōmatos — სხეული და ...ლოგია), ადამიანის მორფოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ცოცხალი ადამიანის სხეულის აგებულებას მთლიანობაში: სიგრძეს, მასას, გარშემოწერილობას, პროპორციებსა და სხვ. სომატოლოგიური კვლევა საშუალებას იძლევა დადგინდეს ფიზ. განვითარების ნორმები სხვადასხვა ასაკობრივ, სქესობრივ, ტერიტ. და სხვ. ჯგუფში.

სომატოტროპული პორმონი, იგივეა, რაც *ზრდის პორმონი.*

სომატური მუტაცია, სხეულის უჯრედებში წარმოქმნილი *მუტაცია,* რ-იც იწვევს ორგანიზმის მოზაიკურობას, ე. ი. ორგანიზმში ქრომოსომთა რაოდენობით ან გენებით განსხვავებული უჯრედების, ქსოვილების ან ნაწილების წარმოქმნას. ს. მ. თავისი ბუნებით არ განსხვავდება სასქესო უჯრედებში წარმოქმნილი ანუ გენერაციული მუტაციისაგან და მეიძლება იყოს გენური, ქრომოსომული ან გენომური. თუ ს. მ. ინდივიდ. განვითარების ადრინდ. ეტაპზე წარმოიქმნა, მაშინ ორგანიზმის დიდ ნაწილს მოიცავს და პირიქით. დომინანტური ს. მ. მაშინვე ვლინდება, რეცესიული კი — ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში გადასვლისას.

იმ ორგანიზმების ევოლუციაში, რ-თაც უსქესო გამრავლების უნარი აქვთ, ს. მ. უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს და ხშირად არაქტ. მნ-შვნელობაც ენიჭება, ვინაიდან მათში სომატური უჯრედებისაგან ყალიბდება სასქესო უჯრედები და ს. მ. მემკვიდრეობით გადაეცემა.

ს. მ. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ცხოველთა და ადამიანის პათოგენეზში, კერძოდ, ავთვისებიანი სიმსივნის, სასქესო სისტემის ანომალიისა და ახალშობილთა სიმახინჯის განვითარებაში, თვითნებური აბორტის გამოწვევაში და სხვ.

ა. შათირიშვილი.

სომატური ნერვული სისტემა, ნერვული სისტემის ნაწილი, რ-იც აინერვირებს სხეულის კუნთებს, უზრუნველყოფს ორგანიზმის სენსორულ და მოტორულ ფუნქციებს. ხერხემლიანი ცხოველების ჩონჩხის განივზოლიან კუნთებს ანერვიანებენ *ზურგის ტვინის* წინა რქებისა და თავის ტვინის ღეროვანი ნაწილის ზოგიერთი მოტორული ბირთვის ე. წ. მოტონეირონები. მათი კოორდინირებული მოქმედება ხორციელდება პირდაპირ ან ჩართული ნეირონების საშუალებით მისული იმპულსაციით იმ მოტო-სენსორული ან მგრძნობიარე ნეირონებიდან, რ-ებიც ინფორმაციას იღებენ კუნთებიდან და მყესებიდან ან თავის ტვინის სხვადასხვა დონეზე განლაგებული უმაღლესი მოტორული ცენტრებიდან. *გ. შაჰავარიანი.*

სომატური უჯრედების გენეტიკა, გენეტიკის დარგი, რ-ის კვლევის ობიექტია ძუძუმწოვრების (მ. შ. ადამიანის), ამფიბიების, თევზების, მწერების, აგრეთვე უმაღლესი მცენარეების კულტივირებული სომატური უჯრედები (სუ). მის დაფუძნებაში დიდი როლი ითამაშა მიკროორგანიზმთა გენეტიკის მეთოდების დანერგვამ (მაგ., კულტ. პირობებში ცალკეული უჯრედიდან შთამომავლობის მიღება; სელექტიურ არეზე განსხვავებული გენოტიპის უჯრედთა გადარჩევა; უჯრედთა ჰიბრიდიზაცია და მათი შემდგომი ანალიზი და ა. შ.). კულტ. პირობებში სუ-ის სწრაფი გამრავლება, იშვიათი გენეტ. მოვლენების (*მუტაციების,* ჰიბრიდების წარმოქმნა) აღმოჩენა ისეთი გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა, რ-ებიც მთლიან ორგანიზმზე შეუძლებელია. ს. შ. გ. შეისწავლის მუტაციური პროცესის, *გენის* მოქმედებისა და მისი აქტიურობის რეგულაციის კანონზომიერებებს, ადგენს გენის ლოკალიზაციას ქრომოსომაში. ს. შ. გ-ში *მუტაგენეზის* კანონზომიერებათა შესწავლით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა *მუტანტის* მიღება, რამაც განაპირობა მუტანტების მოლეკულური მექანიზმების შესწავლა, ასევე სხვადასხვა ქიმ. ნივთიერებითა და ვირუსით გამოწვეულ მუტაგენურობასა და კანცეროგენულობას შორის კავშირის გარკვევა, ადამიანის მემკვიდრეობაზე ქიმ. და ფიზ. ფაქტორების ზემოქმედების საშიშროების შეფასება. ს. შ. გ-ის მნიშვნელოვანი მიღწევაა ნაირგვარი სუ-ის ჰიბრიდიზაცია. ჰიბრიდულ სუ-ში შეიძლება გაერთიანდეს სისტემატიკურად განსხვავებული *გენომი* (მაგ., ადამიანისა და სხვადასხვა მღრღნელის, მაიმუნის, თაგვისა და ქათმის, ადამიანისა და კოღოს და ა. შ.), ჰიბრიდების მიღება სპეც. მეთოდით ხდება (ინაქტივირებული სენდაის ვირუსით დამუშავებული განსხვავებული სუ-ები გადაქვთ სელექტიურ არეზე, რ-ზეც მხოლოდ წარმოქმნილი ჰიბრიდები ვითარდებიან). სახეობათა შორის ჰიბრიდების ანალიზით ადამიანში შედგენილია *გენეტიკური რუკები ქრომოსომებისა.* ჰიბრიდული სუ-ის (მაგ., თაგვი და ადამიანი) შემდგომი გამრავლებისას თანდათანობით იკარგება ადამიანის სხვადასხვა ქრომოსომა. კლონური უჯრედების ქრომოსომული ანალიზით ადგენენ, თუ რომელ ქრომოსომაში იმალება გენი. ჰიბრიდების გამოყენებით იკვლევენ აგრეთვე გენთა რეგულაციის, ციტოპლაზმისა და ბირთვის ურთიერთდამოკიდებულების, უჯრედთა დიფერენცირებისა და ავთვისებიანი ზრდის საკითხებს.

გენეტიკური კვლევის ხელსაყრელი ობიექტია აგრეთვე მცენარეთა სუ-ები. ჰიბრიდული სუ-ები მიიღება პროტოპლასტების (უჯრედს ფერმენტებით აცილებენ მკვრივ გარსს) შერწყმით. ზოგიერთ ჰიბრიდულ სუ-ს აქვს *რეგენერაციის* უნარი. ამ საკითხის შესწავლას თეორ. მნიშვნელობის გარდა პრაქტ. (სელექციური) მნიშვნელობაც აქვს. მეთოდის შემდგომი სრულყოფით შესაძლებელი გახდა შორეული ჰიბრიდების მიღება, რ-ებიც სქესობრივი გამრავლებისას არ წარმოიქმნებიან.

ლიტ.: Шапиро Н. И., Новое направление генетики, «Природа», 1973, № 12; Эфрусси Б., Вейс М., Гибридные соматические клетки, пер. с англ., в. 5, М., 1970.

ა. შათირიშვილი.

სომბა, სომე, ტამბერმა (საკ. სახელწ. ბეტამარიბე ან ტამარი), ბენინში, მდ. პენჯარისა და ვემეს ზემო დინებაში, ტოგოს საზღვართან მცხ. ხალხი. რაოდ. მონათესავე ტომებთან ერთად 375 ათ. კაცზე მეტი (1978, შეფასება). ენა განეკუთვნება გური (ცენტრ. ბანტოიდური) ენათა ჯგუფს. ინარჩუნებენ ტრად. გვაროვნ.-ტომობრივ რელიგ. რწმენებს. ს-ს ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება.

სომბათჰეი (Szombathely), ქალაქი დას. უნგრეთში, ვაშის მედიეს ადმ. ცენტრი. 84 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო კვანძი. სას.-სამ. მანქანების წარმოება, საფეიქრო, ფეხსაცმლის, ხე-ტყის სახერხი, ავეჯის, კვების მრეწველობა. არქიტ. ძეგლები.

სომბორი (Sombor), ქალაქი იუგოსლავიაში, სერბიის სრ-ში, ვოევოდინის სოციალ. ავტონ. მხარის ჩრდ.-დას. ნაწილში. 45 ათ. მცხ. (1974). სატრანსპ. კვანძი დუნაი—ტისა—დუნაის არხის მახლობლად. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. ელექტროტექ., სას.-სამ. მანქანათაშ., ქიმ., კვების, საფეიქრო მრეწველობა.

სომბრერო (ესპ. sombrero<sombra — ჩრდილი), ესპანური ფართოფარფლიანი მოწნული ქუდი (ჩალის, პალმის ფოთლისა და სხვ.). გავრცელებულია ლათ. ამერ. ქვეყნებში, განსაკუთრებით მექსიკაში.

სომერვილი (Somerville), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მასაჩუსეტსის შტატში. 77 ათ. მცხ. (1980). ბოსტონის გარეუბანი. სამრეწვ. მოწყობილობის წარმოება, ლითონდასამუშ., კვების მრეწვ., ავტოსაამწყობო ქ-ნები. ს. დაარსდა დაახლ. 1630.

სომერსეტი (Somerset), კუნძული კანადის არქტიკულ არქიპელაგში, ბაროუს სრუტის სამხრ-ით. ფართ. 24,3 ათ. *კმ²*. სიმაღლე 760 *მ*-მდე. სამხრ. ნაწილში არის პატარა დასახლ. პუნქტი ფორტროსი.

სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი, ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი სომხური ს.-დ. ორგანიზაცია. დაარსდა 1902 თბილისში ს. *შაუმიანის,* ბ. *კნუნიანცის,* ა. ზურაბიანის მეთაურობით. კავშირმა თავისი თავი რსდმპ-ის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა. 1902 ოქტ-ში კავშირმა გამოუშვა არალეგალური გაზ. „პროლეტარიატი" (სომხ. ენაზე), რ-შიც გამოაქვეყნა „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის მანიფესტი" (დაწერა ს. შაუმიანმა). მასში გაანალიზებული იყო ამიერკავკ. პოლიტ. და ეკონ., მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობა. დაყენებული იყო კავშირის მორიგი ამოცანები — სომეხი პროლეტარიატის პოლიტ. აღზრდა და მისი რუს. პროლეტარიატთან დაკავშირება მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად. კავშირის მუშაობას და „მანიფესტს" მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა. გაზ. „ისკრაში" (№ 33, 1903, თებ.). ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ორი ძირითადი პრინციპი, რ-ითაც უნდა ეხელმძღვანელა რუს. ყველა სოციალ-დემოკრატს ეროვნულ საკითხში (პოლიტ. და სამოქალაქო თავისუფლების, ერების სრული თანასწორუფლებიანობისა და თითოეული ეროვნებისათვის თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა), კავშირის მიერ სრულიად სწორად არის დასახულიო. ამავე დროს ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ამ პრინციპების გადმოცემაში არსებულ ზოგიერთ არათანმიმდევრობაზე. 1902 კავშირი ორგანიზაციულად შეერწყა რსდმპ თბილ. კომიტეტს.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 6; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971.

სომი, XIV—XV სს. ეერცხლის ფულადი საანგარიშო ერთეული. ს. იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XIV—XV სს. აღაპებსა და 1460 ერთ ქართ. სიგელში. ამ ტერმინის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში დაკავშირებულია ჯუჩიანთა მონეტების მიმოქცევასთან. შეესატყვისება 120 დირჰემს.

ც. ღვაბერიძე.

სომიტები (<ბერძნ. sōma — სხეული), პირველადი სეგმენტები, მეზოდერმის სეგმენტები, რ-თა ერთობლიობა ადამიანისა და ცხოველების სხეულის სეგმენტაციას (*მეტამერიას*) განაპირობებს. ს. უმეტესად ეწოდება სხეულის მეორეული ღრუს (ცელომის) მქონე ცხოველების მეზოდერმის ზურგის ზედა ნაწილის სეგმენტებს. ხერხემლიანი ცხოვე-



სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 462
II. სახელმწიფო წესწყობილება . . 462
III. ბუნება 463
IV. მოსახლეობა . .463
V. ისტორიული ნარკვევი 463
VI. სომხეთის კომუნისტური პარტია . 466
VII. სომხეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი 467
VIII. პროფესიული კავშირები 467
IX. სახალხო მეურნეობა 467
X. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა . . .468
XI. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი . .468
XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია 468
XIII. ლიტერატურა . 468
XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 469
XV. მუსიკა 470
XVI ბალეტი 470
XVII. დრამატული თეატრი 471
XVIII. კინო 471

ლებისა და ადამიანის ჩანასახის ს. გაწყობილია ქორდის გასწერივ ორსავე მხარეზე (ს. სუსტადაა განვითარებული თავის ნაწილში). თითოეულ ს-ს შეადგენს მიოტომი, სკლეროტომი და დერმატომი.

ლ. ნათაძე.

სომიწო, სოფელი ონის რ-ნში (პიპილეთის სოფსაბჭო), მდ. ჯეჯორის ხეობაში. ზ. დ. 760 *მ*, ონიდან 3 *კმ*. პიპილეთის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. პიპილეთში (4 *კმ*). ბ-კა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია შუა საუკ. დარბაზული ეკლესია და კოშკის ნანგრევები.

სომნამბულიზმი (ლათ. somnus — ძილი და ambulo — დავდივარ), მთევარეულობა, ლუნატიზმი, ქვეცნობიერი, ზოგჯერ უაზრო ან სახიფათო საქციელი, რ-საც ადამიანი ძილში სჩადის და გამოღვიძების შემდეგ აღარ ახსოვს. ს-ის ხელოვნურად — *ჰიპნოზით* გამოწვევა მიუთითებს ს-ისა და ჰიპნოზის პათოფიზიოლ. მექანიზმების განსაზღვრულ ერთიანობაზე.

სომოვი კონსტანტინე ანდრიას ძე [18 (30). XI. 1869, პეტერბურგი, —6. V. 1939, პარიზი], რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი, ჟურნალ „მირ ისკუსსტვას" ერთ-ერთი დამაარსებელი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1888—97, 1894-იდან ი. რეპინთან) და პარიზში, კოლაროსის აკადემიაში (1897). პეტერბ. სამხატვრო აკად. ნ. წ. (1913); პეტერბ. სამხატვრო აკად. თავისუფალ მხატვართა სასწავლო სახელოსნოების პროფესორი (1918). 1923 წაეიდა რუსეთიდან, 1925-იდან ცხოვრობდა პარიზში. მისი ნაწარმოებების თემა იყო XVIII ს. და XIX ს. დასაწყ. თავად-აზნაურთა ყოფა; მიმართავდა აგრეთვე იტალ. კომედია დელ არტეს მოტივებს. ს-მა თავის შემოქმედებაში შექმნა გამოგონილი სამყარო. დასახლებული თოჯინურ-სტაფაჟური პერსონაჟებით („გასეირნება წვიმის შემდეგ", 1896; „სასაცილოდ აგდებული ჯოცნა", 1908; ორივე — რუს. მუზეუმი, ლენინგრადი; „საღამო", 1902; „მძინარე ახალგაზრდა ქალი", 1909; ორივე — ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). ს-ის მრავალრიცხოვან პორტრეტებში მოდელის ზუსტი დახასიათება შერწყმულია „მოდერნის" დამახასიათებელ პორტრეტნიღბის იდეასთან („ცისფერკაბიანი მანდილოსანი", 1897—1900; ა. ბლოკის პორტრეტი, გრაფიტი, ფერადი ფანქარი, 1907; ორივე — ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). ს-ის ფერწერისათვის საერთოდ დამახასიათებელია ფერადოვანი ტონების აქცენტირება, კომპოზიციის დეკორ.-ორნამენტული გადაწყვეტა. იგი რაფინირებული და დახვეწილი გრაფიკოსი იყო (აფორმებდა ჟურნ. „მირ ისკუსსტვას" და სხვ.).

სომოსა (Somoza), 1. ს. ანასტასიო (1. II. 1896, სან-მარკოსი, — 29. IX. 1956, პანამის არხის ზონა), ნიკარაგუის სახელმწიფო მოღვაწე, გუნერალი. 1932-იდან ეროვნ. გვარდიის უფროსი. 1936—47, 1950—56 პრეზიდენტი. ქვეყანას ფაქტობრივად 20 წელი ერთპიროვნულად მართავდა. მისი მონაწილეობით ათასობით ნიკარაგუელი პატრიოტი დახოცეს, მ. შ. ეროვნ. გმირი *ა. სანდინო*, აკრძალა პროფკავშირული და დემოკრ. ორგანიზაციების საქმიანობა. ს-მ ქვეყანა ეკონომიკურად და პოლიტიკურად აშშ-ს დაუმორჩილა. 1956 მოკლეს. მის შემდეგ ძალაუფლება ხელში აიღო მისმა შვილმა. 2. გენ. ს. ანასტასიო დებაილე (1925 — 1980), პრეზიდენტი 1967—72, 1974—79. ნიკარაგუაში რევოლუციური ძალების გამარჯვების შედეგად (1979), ქვეყნიდან გაიქცა და ქონება გაიტაცა, მოკლეს 1980 პარაგვაიში.

სომხები (საკ. სახელწ. — ჰაი), ერი, სომხ. სსრ ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 2725 ათ. კაცი (1979, აღწერა). კომპაქტურად ცხოვრობენ აგრეთვე საქ. სსრ-ში, აზერბ. სსრ-სა და ჩრდ. კავკასიაში (სულ სსრკ-ში 4151 ათ., 1979). სსრკ ფარგლებს გარეთ ს. სახლობენ ყველა კონტინენტის 60 ქვეყანაში (ძირითადად ქ-ებში). სულ მსოფლიოში ს-ის საერთო რაოდ. 6200 ათ. კაცს აღწევს. ს. ლაპარაკობენ *სომხურ ენაზე*. ანთროპოლოგიურად ევრაზიული რასის არმენოიდულ ტიპს განეკუთვნებიან. მორწმუნენი ძირითადად მონოფიზიტი ქრისტიანები არიან, საზღვარგარეთ გარკვეული ნაწილი კათოლიკე ან პროტესტანტია. ძვ. სომხ. ტრადიციით (მოსე ხორენელი), ს-ის ეპონიმებია ჰაიკი და არმენი. შესაბამისად, ს. თავის თავს „ჰაიებს" („ჰაიქ") უწოდებენ, ხოლო ყველა სხვა ხალხი (ქართველების გარდა) მათ „არმენების" სახელწოდებით იცნობს. ს-ის თვითწოდებას „ჰაი" ზოგი სპეციალისტი უკავშირებს ხეთურ წარწერებში მოხსენიებული ქვეყნის სახელს — „ხაიასა", ხოლო „არმენია" // „არმინა" უკვე ძვ. წ. VI ს. აქემენიდურ და ბერძნ. წყაროებში გვხვდება.

სომხ. ზეგანზე არქეოლ. გათხრებით დადასტურებულია ადამიანთა საზ-ბის განვითარების ყველა ეტაპი. მიუხედავად ამისა, ს-ის ეთნოგენეზის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. არსებობს 2 თეორია: ს-ის ავტოქთონობისა (ადგილ. წარმოშობის) და მიგრაციის (მოსელის) შესახებ. გამოთქმულია აგრეთვე მათი შემარიგებელი (პროტოარმენულის ორბუნებოვნების და სხვ.) მოსაზრებებიც. ს-ის ეთნოგენეზში პროტოარმენების გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ ლუვიური, ხურიტული, ურარტული და სხვ. წარმომავლობის ტომებიც. სომეხი ხალხის კონსოლიდაციის პროცესი დაჩქარდა ურარტუს სახელმწიფოს (ძვ. წ. IX—VI სს.) დაცემის შემდეგ და საბოლოოდ დასრულდა ძვ. წ. IV ს-ში. ს-ის სახელმწიფომ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია ძვ. წ. I ს-ში. თუმცა IV ს-ში სომხეთში ერთიანი ეროვნ. სახელმწიფო მოიშალა და იგი მოელი შუა საუკ. მანძილზე ძლიერი მეზობელი იმპერიების აგრესიის ობიექტად იქცა, ერთიანი სომხ. კულტ.-განვითარება, რ-იც ეროვნ. დამწერლობას ეყრდნობოდა, მაინც არ შეწყვეტილა. XI ს-ში თურქ-სელჩუკთა შემოსევების გამო ს-ის უმრავლესობამ დატოვა სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. მათგან ყველაზე დიდმა ნაკადმა 1080 კილიკიაში დამოუკიდებელი სომხ. სამეფო შექმნა (იხ. *კილიკიის სომხეთის სახელმწიფო*). 1801—28 სომხ. ძირითადი ნაწილის რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო აქ ფეოდ. ურთიერთობათა რღვევას, კაპიტალიზმის განვითარებას და XIX ს. დასასრულისათვის სომხ. ბურჟ. ერის ჩამოყალიბებას. ს-ის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქ. და ირან. სახელმწიფოების ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მათ ეროვნ.-განმათ. მოძრაობებს თურქეთში შედეგად მოჰყვა რამდენიმე გენოციდი, რ-თაგან განსაკუთრებით სასტიკი იყო 1915 ხოცვა-ჟლეტა. თურქეთიდან გაქცეული ს. მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ და შექმნეს დასახლებები, რ-თაც სომხ. დიასპორებს უწოდებენ.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1920, ნოემბ.) სომხეთში აღდგა მრავალსაუკუნოვანი ისტ. მჭონე ეროვნ. სახელმწიფო, აღორძინდა კულტურა და ეკონომიკა; სომეხი ხალხი სოციალ. ერად ჩამოყალიბდა (ს-ის ისტ., ეკონ. და კულტურის შესახებ იხ. აგრეთვე სტ. *სომხეთის სსრ*).

ლიტ.: Дьяконов И. М., Предыстория армянского народа, Ер., 1968; Еремян С. Т., К вопросу об этногенезе армян, «Вопросы истории», 1952, № 7; Капанцян Г. А., Хайасa — колыбель армян, Ер., 1947; Пиотровский Б. Б., О происхождении армянского народа, Ер., 1946; Широков О. С., Место армянского языка среди индоевропейских и проблема армянской прародины, «Լրաբեր, հասարակական գիտությունների», 1980, № 5.

ზ. ალექსიძე.

სომხეთი, იხ. *სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.*

სომხეთის მთიანეთი, მთიანეთი უმთავრესად თურქეთში, ჩრდ-ით ესაზღვრება აღმ. პონტოს მთები, ჩრდ.-აღმ-ით — სამხრ. კავკ. ვულკ. მთიანეთი, დას-ით — ანატოლიის ზეგანი, სამხრ-ით—ტავრის ქედი, ხოლო აღმ-ით ნაწილობრივ გადადის ირანში. გეოლოგიურად ს. მ. ხმელთაშუა ზღვის ალპური ნაოჭა სარტყლის ნაწილია, სადაც განვითარებულია დიდი სისქის მეზო-კაინოზოური ეულკანოგენურ-დანალექი ქანები, ზედაცარცული, პალეოგენური და ნეოგენური გრანიტოიდებისა და ჰიპერბაზიტების ინტრუზივები. წიაღისეულიდან აღსანიშნავია ქრომის, სპილენძის, დარიშხანის, ქვანახშირის საბადოები. რელიეფში ჭარბობს ვრცელი ვულკ. ზეგნები და ნაოჭა-ლოდა ქედებით გაყოფილი ტექტონ. ღრმულები. ვულკ. მწვერვალებიდან აღსანიშნავია დიდი არარატი (5165 *მ*), სებელანი (4821 *მ*), სუფჰანი (4434 *მ*). ერთადერთი მოქმედი ვულკანია ნემრუთი. დამახასიათებელია ტექტონ. ღრმულები, რ-თა ფსკერზე ტბებია ჩამდგარი (მაგ., ვანის ტბა, ურმია და სხვ.); დიდი ქვაბულებია: ერზურუმის, მუშის, თავრიზისა და სხვ. ზეგნებიდან ყველაზე ვრცელია ყარსისა და არდაჰანის. ჰავა სუბტროპ. კონტინენტურია. ნალექები მთაში 300—800 *მმ*, ქვაბულებში 150—300 *მმ* წელიწადში. იცის ხანგრძლივი ყინვიანი და თოვლიანი ზამთარი. იანვ. საშ. ტემპ-რა —3-იდან —15°C-მდე, ივლ. 15—20°C, ქვაბულებში 25°C. ს. მ-ზე აქვს სათავე მდ-ებს მტკვარს, არაქსს, ევფრატსა და დიდ ზაბს. ბევრია მინ.წ., მ. შ. თერმული წყარო. ქვაბულებში გავრცელებულია მშრალი სტეპი და მთის ნახევარუდაბნო, ხეობების გასწერივ — ჭალის მდელო და ბუჩქნარი. სარწყავ ადგილებში მჭიდროდ დასახლ. ოაზისებია. მთის ნოტიო კალთებზე 800-იდან 1400 *მ* სიმაღლემდე მთის სტეპია, 1000-იდან 2300 *მ*-მდე — მუხისა და ფიჭვის ტყეები; ნაკლებად ნოტიო კალთებზე დაბალი ეკლიანი ბუჩქის რაყეებია, 2000—3000 *მ* სიმაღლეზე — მთის მდელო, უფრო ზევით—კლდოვანი ლანდშაფტი. მაღალი მთის მწვერვალები დაფარულია მარადი თოვლითა და მყინვარებით. ცხოველებიდან ბევრია მღრღნელები და ქვეწარმავლები; გვხვდება შველი, მუფლონი, დათვი, ჯიქი, ზოლებიანი აფთარი.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ჰაიკაკან სოვეტაკან სოციალისტაკან ჰანრაპეტუთიუნ), სომეთი (ჰაიასტან).

I. ზოგადი ცნობები

სომხ. სსრ შეიქმნა 1920 წ. 29 ნოემბერს. 1922 წ. 12 მარტიდან 1936 წ. 5 დეკ-მდე შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში. 1936 წ. 5 დეკ. შეუერთდა უშუალოდ სსრკ-ს. მდებარეობს ამიერკავკ. სამხრ-ში. ჩრდ-ით ესაზღვრება საქ. სსრ, აღმ-ით—აზერბ. სსრ, სამხრ-ით — ირანი, დას-ით — თურქეთი. ფართ. 29,8 ათ. *კმ*². მოსახლ. 3267 ათ. კაცი (1984). დედაქალაქი — ერევანი. რესპუბლიკაში 37 რ-ნი, 25 ქალაქი და 33 დაბაა.

II. სახელმწიფო წესწყობილება

სომხ. სსრ სუვერენული სოციალ. საერთო-სახ. სახელმწიფო, მოკავშირე საბჭ. სოციალ. რესპუბლიკაა, რ-იც შედის სსრ კავშირის შემადგენლობაში. მიქმედი კონსტიტუცია მიიღო სომხ. სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მე-

ვიდე სეხიამ 1978 წ. 14 აპრილს. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სომხ. სსრ-ის ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო (ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით). მის კომპეტენციაში შედის კანონების მიღება, სომხ. სსრ მინისტრთა საბჭოს — რესპ. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოს (მთავრობის) შექმნა და სხვ. სომხ. სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს თავის მუდმივმოქმედ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს–სომხ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სახელმწ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებია: რ-ნების, ქ-ების, ქალაქის რ-ნების, დაბებისა და სასოფლო დასახლ. პუნქტების სახ. დეპუტატთა საბჭოები, რ-ებსაც ირჩევს მოსახლ. ორ-ნახევარი წლის ვადით. მართლმსაჯულებას ახორციელებს სომხ. სსრ უმაღლესი სასამართლო, რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოები. სომხ. სსრ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის გენ. პროკურორი 5 წლის ვადით. სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ეროვნ. საბჭოში სომხ. სსრ წარმოდგენილია 32 დეპუტატით.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი*, *სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

სომხ. სსრ უმთავრესად მდებარეობს სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთში, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ნაოჭა, ნაოჭ-ლოდა ვულკ. მთები, ლავური პლატოები და ვაკეები. ტერიტ. 90% მდებარეობს 1000 *მ*-ზე მაღლა (სშ. სიმაღლეა 1830 *მ*). უმაღლესი წერტილი მთა — არაგაწი (4090 *მ*).

გეომორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით ს-ს 4 ნაწილად ყოფენ: ჩ რ დ.-ა ღ მ. ნ ა ო ჭ ა-ლ ო დ ა მ ხ ა რ ე მოიცავს მცირე კავკასიონის ცენტრ. ქედებს (ლოქის, ბაზუშის, ბამბაკის, გუგარაცის, მურღუზის, შაჰდაღის); ც ე ნ ტ რ. ვ უ ლკ. მ ხ ა რ ე ს უკავია ტერიტ. 1/3-ზე მეტი (მთა არაგაწი, გეღამის, ვარდენისის ქედები, შირაკის, აშოცის, სევანის ქვაბულები); ს ა მ ხ რ. მ ხ ა რ ე მოიცავს ნაოჭა-ლოდა ზანგეზურის ქედის შტოქედებსა და ხეობების ქსელს; შ უ ა ა რ ა ქ ს ი ს მ თ ა თ შ ო რ ი ს ი ღ რ მ უ ლ ი, რ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში მდებარეობს არარატის ვაკე (სიმაღლე 800—1000 *მ*).

ს-ის ტერიტ. მოქცეულია ხმელთაშუა ზღვის ნაოჭა-გეოსინკლინური სარტყლის შიგა ნაწილში. აქ გვხვდება თითქმის ყველა სისტემისა და ასაკის ნალექები. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული იურული და პალეოგენური ვულკ.-დანალექი წყებები. ს-ის ტერიტ. 1/3 დაფარულია ბაზალტით, ტუფით, პემზით, პერლიტითა და ვულკ. მოქმედების სხვა პროდუქტებით.

სასარგებლო წიაღისეულთა შორის გამოირჩევა სპილენძ-მოლიბდენის (ქაჯარანი, აგარაკი, დასტაკერტი და სხვ.), სპილენძის ალმადანის (ღაფანი, ალავერდი, შამლული და სხვ.), ოქროს (ზოდი, მეღრაძორი), რკინის (რაზდანი, სვარანაცი და სხვ.), პოლიმეტალების, ნეფელინიანი სიენიტებისა და ქვაბმარილის საბადოები. ბევრია საშენი მასალა (მარმარილო, ტუფი, დოლომიტი, პემზა, ბაზალტი, პერლიტი), ბენტონიტური თიხები და სხვ. ს. მდიდარია მინერ. წყლებით.

ს. მდებარეობს სუბტროპ. ზონაში. ქვეყნის მთიანი რელიეფი განაპირობებს მავის ტიპების მრავალფეროვნებას. ჰავაზე დიდ გავლენას ახდენს შავი და კასპიის ზღვის სიახლოვე, აგრეთვე გვალვიან ირანისა და მცირე აზიის მთიანეთებთან მეზობლობა. მზის რადიაციის ინტენსივობა შუადღისას მაის-ივნისში არაგაწზე 1,16 *კჯ/მ²* აღწევს. მზის ნათების ხანგრძლივობის მაქსიმუმი (2800 *სთ* წელიწადში) არარატის ვაკესა და სევანის ტბის აუზშია. ვაკესა და მთისწინეთში ჰაერა მშრალი, კონტინენტურია, იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ივლ. საშ. ტემპ-რაა 24—26°C, მაქს. 42°C; იანვ. —5°C. ნალექები 200—400 *მმ* წელიწადში. საშუალმთიანეთში ზომიერი ჰავაა. ივლ.-აგვ. საშ. ტემპ-რაა 18°C, იანვ. —2, —8°C. ნალექები 600—800 *მმ* წელიწადში. მაღალმთიანეთში ცივი ჰავაა. ზაფხული გრილია (საშ. ტემპ-რა 10—15°C), ზამთარი ცივი (იანვ. საშ. ტემპ-რა —9-იდან —14°C-მდე, აბსოლ. მინიმუმი — 46°C). მეღორისა და ნოემბერიანის რ-ნებში მშრალი სუბტროპ. ჰავაა, ნალექები 300 *მმ* წელიწადში.

ს-ის მდ-ები კასპიის ზღვის აუზს განეკუთვნება. უდიდესია სასაზღვრო მდ. არაქსი. მისი შენაკადებია: ახურიანი, მეწამორი, რაზდანი, არფა, ვოროტანი და სხვ. მტკვრის შენაკადებია: დებედა, აღსტევი, ჰახუმი და სხვ. მდ-ები ჭორომიანია, არასანაოსნო; გამოყენებულია სარწყავად და ჰიდროენერგიის წყაროდ. მდ. რაზდანზე შექმნილია სევან-რაზდანის, ხოლო მდ. ვოროტანზე — ვოროტანის პესების კასკადი. ს-ში 100-ზე მეტი მთის ტბაა, უდიდესია — სევანი. არარატის, შირაკის, ვოროტანისა და სევანის არტეზიულ აუზში წყლის მნიშვნელოვანი მარაგია. ს-ში 8 ათ-ზე მეტი წყაროა.

უმეტესად გავრცელებულია მთის შავმიწა ნიადაგები. არის უდაბნოს, მურა-თიხნარი, მურა-ქვიანი, წაბლა, მთა-მდელოსა და სხვა ნიადაგები. მცენარეულობა გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებითა და ენდემების სიმრავლით. ბარში ჰალოფიტური მცენარეულობაა, მთისწინეთში—ფრიგანოიდული; სტეპში ვაციწვერიანი და წივანიანი მცენარეულობაა გავრცელებული. ს-ის ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. რ-ნები შემოსილია ფოთლოვანი ტყით (აღმოსავლური წიფელი რცხილა, მუხა), რ-საც ტერიტ. 13 % უკავია. მთის ზონაში მარცელოვანი და ალპ. მდელოებია.

მთისწინეთში ბინადრობს გარეული ღორი, ლელიანის კატა, ტურა, ქვეწარმავლებიდან — გიურზა, კავკასიური გველგესლა; მღრღნელების სხვადასხვა სახეობა, სამხრ. ნაწილის მთებში გვხვდება ნიამორი, მუფლონი; ტყეში — შველი, გარეული ღორი, დათვი, ფოცხვერი. ფრინველებიდან გავრცელებულია თოლია, ტროლა, ოფოფი, კოდალა, კაკაბი, წიწკანა, ვალდშნეპი და სხვ.; თევზებიდან — სევანის კალმახი (იშხანი), სიგი და სხვ. შექმნილია დილიჯანისა და ხოსროვის ნაკრძალები.

ლიტ.: Геология Армянской ССР, т. 1—9, Ер., 1962—69; Климат Армянской ССР, Ер., 1958; Атлас Армянской ССР, Ер.— М., 1961.

IV. მოსახლეობა

მოსახლ. 89,7% სომხები არიან (2725 ათ. კაცი, 1979 აღწერა), ცხოვრობენ აგრეთვე აზერბაიჯანელები (161 ათ.), რუსები (70 ათ.), ქურთები (51 ათ.), უკრაინელები (8,9), ბერძნები (5 ათ.), ასურელები (აისორები 6,2 ათ.) და სხვ.

ს-ის მოსახლ. რიცხვი საბჭ. პერიოდში 3-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივი ზრდის გარდა (1983 წელს 1000 მცხოვრებზე ნამატი შეადგენდა 17,6 კაცს) მოსახლ. რიცხვი გაიზარდა რესპუბლიკათშორისი მიგრაციისა და საზღვარგარეთიდან სომხების რეპატრიაციის შედეგად (საბჭ. პერიოდში რეპატრიირებული იყო დაახლ. 240 ათ. კაცი). საშ. სიმჭიდროვეა 108 კაცი 1 *კმ²*-ზე (1983), მაქს. სიმჭიდროვე არარატის ვაკეზე — 400 კაცზე მეტი 1 *კმ²*-ზე. სიმჭიდროვის მიხედვით ს. მეორე ადგილზეა სსრკ-ში (მოლდ. სსრ-ის შემდეგ). 1981 ქალები მოსახლ. 51,3%-ს შეადგენდნენ, მამაკაცები — 48,7%; 1983 სახ. მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-



სომხეთი. არაგაწის მთა არარატის ვაკიდან.

მოსამსახურეთა რიცხვი შეადგენდა 1276 ათ. კაცს.

დიდი ქ-ებია (1983, ათ. კაცი): ერევანი (1095), ლენინაკანი (218), კიროვაკანი (159).

V. ისტორიული ნარკვევი

პირველყოფილი თემური წყობილება და უძველესი სახელმწიფოები ს-ის ტერიტორიაზე. სომხ. მთიანეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. არქეოლ. გათხრების დროს აღმოჩენილი შრომის იარაღი მოწმობს, რომ პირველყოფილი ადამიანი აქ უკვე მეოთხეული პერიოდის I ნახევარში ცხოვრობდა. *ნეოლითის* ხანაში სომხ. მთიანეთის მოსახლეობამ მიწის დამუშავება დაიწყო. *ენეოლითისა* და ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებასთან ერთად განვითარდა მეცხოველეობა. სომხ. ტერიტორიაზე ლითონს ჯერ კიდევ ძვ. წ. V—IV ათასწლეულში ამუშავებდნენ (სოფ. თეღუტი ეჩმიაძინთან). სამთო მეტალ. მსხვილი ცენტრი იყო მეწამორი (ძვ. წ. III—I ათასწლ.). გათხრების დროს აქ გამოვლინდა 200-ზე მეტი სადნობი.

ძვ. წ. II ათასწლ. II ნახევარში გვიანდ. ბრინჯაოს კულტურამ აყვავებას მიაღწია (ლჩაშენი). გაჩნდა ტომობრივი კავშირები. ძვ. წ. I ათასწლ. მიჯნაზე რკინის ათვისებასთან ერთად სომხ. მთიანეთში მცხოვრებ ტომებში გაძლიერდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესი, ჩაისახა კლასობრივი საზ-ბ. ასურელთაგან მოსალოდნელმა საშიშროებამ ხელი შეუწყო აქ მოსახლე ტომების გაერთიანებას (ნაირი, ურუატრი და სხვ.), რ-ის საფუძველზე ძვ. წ. IX ს-ში ჩამოყალიბდა სსრკ ტერიტორიაზე უძველესი სახელმწიფო — ურარტუ.

ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში აბორიგენი ტომების ახალი კავშირები ჩამოყალიბდა. ესენი იყვნენ: ვანის ტბის აუზში მცხოვრები ურარტულები, ჰაიასას ტომობრივი კავშირი (საიდანაც, სპეციალისტების აზრით, მომდინარეობს სომეხი ხალხის სახელი „ჰაი“) და სხვ. სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი თანხვდა ძვ. წ. VI ს-ში ს-ის სახელმწიფოს შექმნას, მან ურარტუს სახელმწიფოს ადგილი დაიკავა. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომებიც, თავის მხრივ, მონაწილეობდნენ სომეხი ხალხის ჩამოყალიბებაში. მაგრამ უკვე ძვ. წ. VI ს. დასასრ. ს-ის სახელმწიფო აქემენიდთა სპარს. შემადგენლობაში შევიდა.

ძვ. წ. 331, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიდთა იმპერიის განადგურების შემდეგ, ს-ის სახელმწიფო აღდგა და მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი გააერთიანა. მაგრამ ძვ. წ. III ს. I ნახევარში მას ჩამოსცილდა სამხრ.-დას. ოლქები — კომაგენე და სოფენა. ამავე საუკუნის ბოლოს ს-ის სახელმწიფო, *დიდი სომხეთის* სახელით, სელევკიდების სამფლობელოში მოექცა. მას სელევკიდების მიერ დანიშნული ადგილ. მმართველი

არტაშეს I მართავდა. ძვ. წ. 191 არტაშესმა ისარგებლა სელევკიდების რომაელებთან ბრძოლაში დამარცხებით და ძვ. წ. 189 დიდი სომხეთი და სოფენა დამოუკიდებელ სამეფოებად გამოაცხადა. მან სათავე დაუდო არტაშესიანთა სამეფო დინასტიას, რ-საც ტახტი ეპყრა ძვ. წ. I ს-მდე. დიდი სომხეთი განსაკუთრებით გაძლიერდა არტაშეს I-ის შვილიშვილის—*ტიგრან II* დიდის დროს. ტიგრანმა დაასრულა ძირითადი სომხ. მიწების გაერთიანება და თავის სამეფოს სოფენაც შეუერთა. ამის გარდა, დიდ სომხეთს შეუერთდა კომაგენე, *ატროპატენა*, სელევკიდების სირია, მესოპოტამია და სხვ. ქვეყნები. სამფლობელოების გაფართოების გამო დედაქალაქი *არტაშატი* ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში მოექცა. აუცილებელი გახდა ახ. დედაქალაქის აშენება. მდ. ტიგრის ნაპირზე ტიგრან II-მ აააო ქ. *ტიგრანაკერტი*. მნიშვნელოვნად განვითარდა სხვა ქ-ებიც — *არმავირი*, არშამაშატი, *ერვანდაშატი* და სხვ.

ძვ. წ. 69 დაიწყო ომი რომსა და ს-ს შორის. ს-ის მოკავშირე იყო პონტოს მეფე *მითრიდატე VI ევპატორი*, რ-იც ტიგრანის ნათესავიც იყო. ამ ომში ს. დამარცხდა და დაკარგა მიერთებული მიწები. შეინარჩუნა მხოლოდ ეთნ. საზღვრები. ძვ. წ. 66 ხელშეკრულებით ს-მა ცნო რომის ბატონობა, თუმცა ტიგრანმა შეინარჩუნა ხელისუფლება.

ძვ. წ. I ს-იდან ს. რომისა და სპარს. ბრძოლის ასპარეზად იქცა. ახ. წ. 62-დან ს-ში *არშაკუნიანების* დინასტია დამკვიდრდა. III ს. II ნახევრიდან დიდი სომხეთი სასანიანთა ირანის გავლენის სფეროში მოექცა.

ს. ფეოდალიზმის ეპოქაში (III—IV სს. — XVIII ს.). III ს-იდან ს-ში დაიწყო ფეოდ. ურთიერთობის ჩამოყალიბება. მეთემე-გლეხები და მონები თანდათან ფეოდალზე დამოკიდებულ გლეხებად იქცნენ. წარმოიქმნა მსხვილი ფეოდალების (ნახარარების) ფენა. IV ს. დასაწყისში სომხებმა სახელმწიფო რელიგიად მიიღეს ქრისტიანობა. სომხ. გრიგორიანული ეკლესია (სახელი ეწოდა *გრიგოლ განმანათლებლის* პატივსაცემად) ძლიერ ფეოდ. ორგანიზაციას წარმოადგენდა. იგი იყო ფეოდალიზმის იდეოლოგი და მხარდამჭერი. 387 ს. ირანმა და ბიზანტიამ გაინაწილა. ს-ის დას. ნაწილში, რ-იც ბიზანტიას ერგო, მეფობა გაუქმდა 391. ხოლო ირანის კუთვნილ აღმ. ს-ში — 428 ქვეყანას განაგებდა სპარსი მმართველი — მარზპანი. სპარსელებმა შექმნეს თავისი ადმინისტრაცია, სომეხ ნახარარებს ჩამოართვეს სახელმწ. თანამდებობანი. ირანმა მოითხოვა ქრისტიანობის უარყოფა და ირანში გაბატონებული რელიგიის — *ზოროასტრიზმის* მიღება. 450—51 ირანის წინააღმდეგ მოეწყო აჯანყება, რ-საც სახალხო ხასიათი ჰქონდა. მას ხელმძღვანელობდა ვარდან მამიკონიანი. დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოსა და ალბანეთთან. 451 წ. 26 მაისს ავარაირის ველზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. აჯანყებულები დამარცხდნენ. ვარდან მამიკონიანი მოკლეს.

VII ს. II ნახევარში ს. დაიპყრო არაბთა. სახალიფომ. ს., ქართლი და კავკასიის ალბანეთის (იხ. *ალბანეთი კავკასიისა*) ტერიტ. არაბებმა გააერთიანეს და „არმინია“ უწოდეს. მკაცრი სოც. ჩაგვრის გამო სომხები სამშობლოდან მიდიოდნენ, VII—VIII სს-ში მათი დიდი ნაწილი გადავიდა საქართველოსა და ბიზანტიაში. არაბთა ბატონობის დროს სომხები არაერთხელ აჯანყდნენ თავიანთი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად (703, 748—50, 774—75, 850—55 აჯანყებები). IX ს. ბოლოს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, ს-მა შეძლო არაბთა ულლისგან განთავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოს აღდგენა *ბაგრატუნების* დინასტიის მეთაურობით. მაგრამ მათ ვერ შემოიერთეს ყველა დაკარგული მიწა. განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში (ს-ში IX—XIII სს.) ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ქუცმაცდებოდა. ბაგრატუნების გამეფების შემდეგ ს-ში დაიწყო ეკონ. და კულტ. ცხოვრების აღმავლობა, რაც განპირობებული იყო ფეოდ. ურთიერთობათა აყვავებით. მალე დაიწყო ბიზანტიის აგრესია. XI ს. I ნახევარში ბიზანტიამ თანდათან დაიპყრო ს-ის მიწები. ნაწილებად დაყოფილმა და შინაგანი წინააღმდეგობით დასუსტებულმა ს-მა აგრესიას ვერ გაუძლო. 1054 ბიზანტიამ დაიკავა დედაქალაქი ანისი. ს-მა კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა.

XI ს. შუა წლებში ს. სელჩუკებმა დაიპყრეს, XII ს-ში საქართველოს სამეფოს დახმარებით განთავისუფლდა, XIII ს-ში თათარ-მონღოლებმა დაიმორჩილეს. ქვეყნის მფარმოებლური ძალები დაეცა, დაიწყო დეგრადაცია, დაინგრა ქ-ები, განადგურდა მოსახლეობა. გაძლიერდა სომხების ემიგრაცია, რამაც გამოიწვია საზღვარგარეთ სომეხი მოსახლ. ზრდა. უმეტესობა გადასახლდა ოქროს ურდოში, ყირიმში, პოლონეთსა და უკრაინაში. სომხურმა მოსახლეობამ იმატა საქართველოში, ბიზანტიაში, სირიაში, ლიბანში. სომხ. დასახლებანი გაჩნდა ბუკოვინაში, გალიციაში, ტრანსილვანიაში. სომხ. საგვარეულოები გადასახლდნენ მცირე აზიაში. ერთ-ერთი ასეთი საგვარეულოს წარმომადგენელი — რუბენი სათავეში ჩაუდგა დამოუკიდებელი ს-ის სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლას მცირე აზიის სამხრ.-აღმ. ნაწილში — კილიკიაში. 1080 შეიქმნა კილიკიის სომხ. სამთავრო, რ-ის პირველი მთავარი რუბენ I იყო (იხ. *კილიკიის სომხეთის სახელმწიფო*).

XII—XIII სს-ში საქართვ. სახელმწიფო გაძლიერდა და მისი მეთაურობით ს. განთავისუფლდა თურქ-სელჩუკებისაგან.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ *ბაგრატ IV-ის* დროს დაიწყო, შემდეგ ეს ბრძოლა *დავით IV* აღმაშენებელმა გააგრძელა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1123 დავით IV-მ სომხ. მრავალი ქალაქი აიღო. ამავე წელს სომეხი მოსახლ. დახმარებით აიღო ანისიც.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა თამარ მეფის დროს. 1201—03 ქართველთა ლაშქარმა აიღო სომხ. ქ-ები ანისი, დვინი, რის შედეგადაც ჩრდ. და ცენტრ. ს. საქართველოს შემოუერთდა ცალკე საფეოდალოს უფლებით, მას მართავდნენ *მხარგრძელები*. გამოცოცხლდა ეკონ. ცხოვრება. აღდგა ფეოდ. ურთიერთობა. მაგრამ ეს პროცესი შეწყდა მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად.


XIV ს. II ნახევარში ს. გაანადგურა *თემურლენგმა*, შემდგომ კი დაიპყრეს ყარა-ყოიუნლუსა და აყ-ყოიუნლუს თურქმენთა მომთაბარე ტომებმა, რასაც მოჰყვა ნგრევა და მოსახლ. მასობრივი განადგურება, გაძლიერდა სომეხთა ემიგრაცია.


XVI—XVIII სს. ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლის დროს ს. ბრძოლის ასპარეზად იქცა. ომი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ს-თვის კი მას მოჰქონდა ნგრევა, მოსახლ. განადგურება. 1555 მოწინააღმდეგეთა შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად დას. ს. გადავიდა ოსმალეთის ხელში, ხოლო აღმ. ს. ირანს დაექვემდებარა. მაგრამ უკვე 1578 ოსმალებმა დაარღვიეს ზავი, შეიჭრნენ ამიერკავკასიაში და დიდი ნაწილი დაიპყრეს. 1590 ხელშეკრულებით ს. ოსმალეთს დაემორჩილა. 1639 ოსმალეთსა და ირანს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით დას. ს. კვლავ ოსმალეთს მიეკუთვნა, ხოლო აღმ. ს. — ირანს გადაეცა. ასე გაგრძელდა XIX ს. დასაწყისამდე. მძიმე იყო სომხების მდგომარეობა ოსმ. და ირანის უღლის ქვეშ. სოც. უსამართლობას ემატებოდა რელიგ. და ეროვნ. ჩაგვრა. სომხებს ჩამორთმეული ჰქონდათ ელემენტარული უფლებები. აღმ. ს-ის ტერიტ. ირანის სახანოებად იქცა — ერევნის, ნახჭევანის, ყარაბაღის. დას. ს. ოსმ. საფაშოების (ვილაიეთების) შემადგენლობაში შევიდა — არზრუმის, ყარსის, სებასტიის, ვანის, დიარბაქირის.

სოც. და ეროვნ.-რელიგ. ჩაგვრამ სომეხი მოსახლ. აქტ. წინააღმდეგობა გამოიწვია: სომხები იცავდნენ მშობლიურ ენას, კულტურას, დამოუკიდებლობის უფლებას. XVI—XVII სს. მანძილზე ს-ის საერო და სას. მოღვაწეები თხოვნით მიმართავდნენ ევრ. ქვეყნების მმართველ წრეებსა და ვატიკანს, დახმარებოდნენ განმათ. ბრძოლაში, მაგრამ უშედეგოდ. XVII ს. II ნახევრიდან ორიენტაცია აიღეს რუსეთზე. ეს გამოწვეული იყო რუს. მზარდი ავტორიტეტით საერთაშ. სარბიელზე, ამ მხრივ ს-ის ეროვნ.-განმათ. მოძრაობაზე გავლენა იქონია საქართვ. პოზიციამ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. ს-ში რუს. ორიენტაციის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ისრაელ ორიმ, რ-იც საბოლოოდ დარწმუნდა ევრ. ქვეყნების უმოქმედობაში. 1701 იგი წარსდგა პეტრე I-ის წინაშე და გააცნო ს-ის განთავისუფლების გეგმა. პეტრე I-მა აღუთქვა დახმარება შვედებთან ომის დამთავრების შემდეგ.

1722 პეტრე I-მა შვედებთან ომი წარმატებით დაასრულა და დაიწყო „კასპიის ლაშქრობა“, რ-ის მიზანი იყო კავკასიაში გამაგრება და ოსმ.-ირან. აგრესიის შეჩერება. ჯარი დაიძრა ასტრახანიდან კასპიის ზღვის დას. სანაპიროს გასწვრივ. დაიკავა დარუბანდი, ბაქო, რეშთი და კასპიისპირეთის ბევრი რ-ნი. რუს. ჯარის გამოჩენა ნიშანი იყო ქართველებისა და სომხებისათვის. ქართველთა ჯარს სარდლობდა ვახტანგ VI, სომხებისას — კათალიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანი. ისინი განძასთან შეერთდნენ და მზად იყვნენ ირანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ მოულოდნელად შეიცვალა რუს. საგარეო მდგომარეობა და პეტრე I-მა თავისი ჯარი უკან გაიწვია. ქართველთა და სომეხთა ჯარმა ვერ მიიღო დაპირებული დახმარება და დაიშალა. ამაზე ადრე სომხებმა ირანელებისაგან გაათავისუფლეს სიუნიქი და დამოუკიდებელი სომხ. სათავადო შექმნეს. სომხების განმათ. მოძრაობას მეთაურობდა *დავითბეგი*, რ-იც ქართველთა მეფის ვახტანგ VI-ის კარზე მსახურობდა. მალე ამიერკავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა. 1723 ოსმალეთმა ომი დაიწყო ირანთან. 1724 ოსმ. ჯარი შეიჭრა აღმ. ს-ში და დაიკავა ერევანი.

XVIII ს. II ნახევრიდან დაიწყო ს-ის ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ახ. ეტაპი, რ-იც დაკავშირებულია გამოჩენილი მოღვაწის იოსებ ემინის სახელთან. იგი რუს. ორიენტაციისა იყო, აგრძელებდა ი. ორის ხაზს. ი. ემინი უშუალოდ დაუკავშირდა ქართ. პოლიტ. წრეებს, კერძოდ ერეკლე II-ს. მან წამოაყენა იდეა, შეექმნათ ერთიანი ქართ.-სომხ. სახელმწიფო ბაგრატიონების მეთაურობით. რუს. პროტექტორატის ქვეშ ს-ის სახელმწიფოს შექმნის პროექტი წამოაყენეს იოსებ არღუთინსკიმ და ჰ. ლაზარიანმა, რ-ებიც რუსეთში მოღვაწეობდნენ. იმავე დროს ინდოეთის სომხ. კოლონიის (მადრასი) წარმომადგენლებმა შ. შაჰამირიანმა, მ. ბაგრამიანმა და სხვ. წამოაყენეს პროექტი რუს. მფარველობის ქვეშ შექმნილიყო სომხ. ბურჟ. რესპუბლიკა. მაგრამ არც ეს პროექტი განხორციელდა, ვინაიდან XVIII ს-ში რუსეთმა ამიერკავკ. საქმეებში აქტ. ჩარევისაგან თავი შეიკავა.


სოფლის მეურნეობა
მეცენახეობა მეხილეობა, მებოსტნეობა განვითარებული სარძლო მესაქონლეობით მეფრინველეობით,მეთაფლეობისა და კეთილის მოყვანის კერებით
მეთამბაქოეობა, მეხილეობა მეცენახეობა, სარძლო სახორცე მესაქონლეობა და ძეძლორეობა
მესაქონლეობა,მეცხვარეობა განვითარებული მეთამბაქოეობის მეხილეობის და მეცენახეობის კერებით
მეცხვარეობა სარძლო სახორცე მესაქონლეობა, მეცენახეობა განვითარებული მეთამბაქოეობით და მეხილეობით
სარძლო სახორცე მესაქონლეობა და სახორცე სამაგლე სარძლო მეცხვარეობა განვითარებული მეჭარხლეობით და მარცვლეული მეურნეობით
სარძლო სახორცე მესაქონლეობა სახორცე სამაგლე სარძლო მეცხვარეობა, მეთამბაქოეობა და მეკარგოფლეობა განვითარებული მარცვლეული მეურნეობით
სარძლო და საკძე მესაქონლეობა განვითარებული მეკარგოფლეობით და მეხილეობის კერებით
სარძლო სახორცე მესაქონლეობა და მეცხვარეობა
მეცხოველეობა ზაფხულის საძოვრებზე
ტყე
ველი და ხეხილის ბაღი
თამბაქო
მაჭრის ჭარხალი
გრანი
1:2 300 000
ეკონომიკური რუკა
დამამუშავებელი მრეწველობა
ფერადი მეტალურგია
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება
ქიმიური
ხე ტყის და ხის დასამუშავებელი
საშენ მასალათა ნარმოება
მინისა და ფაიფურ ქამანურის
მსუბუქი
კვების
სხვადასხვა
შენიშვნა საბრუნველი პუნქტების სიდიდე ნარეკლებია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით
სასარგებლო ნიადაგსელის მოპოვება
საილენძის მადანი
საილენძ მოლიბდენის მადანი
პოლიმეტალური მადანი
კორქები
მარმარილო
პემზა
ცეცხლგამძლე მასალები
სამშენ ქვა
ბენტონიტური თიხები
ბაზალტი
პერლიტები
სუფრის მარილი
ელექტროსადგურები
პიდროსადგური
მშენებარე სადგური
თბოსადგური
აგომერისადგური
ორსადენები
1:1 000 000


ეკონომიკური რუკა
დამამძიმებელი მრეწველობა
ფერადი მეტალურგია
მანქანათმშენებლობა და ლითონდამამუშავებელი
ელექტროტექნიკური
ქიმიური
საბენ მასალათა წარმოება
საფეიქრო
ბამბეული
აბრეშუმის
ბამბასანმენდი
ხალიჩების
კვების
შენიშვნა საწარმოო ერთეულების სიდიდე ნაწილობრივ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
მცირე ნახშირი
ნავთობი
ბუნებრივი აირი
ვოლფრამის მადანი
პოლიმეტალური მადანი
სპილენძის მადანი
ფლუორიტი (ფლიუსი) მადანი
მიხეულური წყაროები
ელექტროსადგურები
1 მლრდ კვტ-ზე მეტი
100000 დან500000 კვტ-მდე
100 000 კვტ-მდე
თბოსადგური
ჰიდროსადგური
ორმაგხაზები
სოფლის მეურნეობა
ტყე
თამბაქო
ჩაი
მიმართულება
სრული მეურნეობა
მეცხოველეობა, მარცვლეული კულტურები და სხვა
ძირითადად მარცვლეული კულტურები და სხვა
მარცვლეული კულტურები და სხვა
1:4 200 000

აღმ. ს-ის შეერთება რუსეთთან. ს. კაპიტალიზმის ეპოქაში: 1801 რუს. იმპერატორ ალექსანდრე I-ის სპეც. მანიფესტით ა აღმ. საქართვ. რუსეთს შეუერთდა, ამავე ც ისტ. აქტით რუსეთს შეუერთდა საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ჩრდ. ა. ს-ის რ-ნები — შამშადინი და ლორე-ბამბაკი. 1804—13 რუს.-ირან. ომის დროს რუსეთს შეუერთდა ყარაბაღი, ზანგეზური, შირაკი, რაც გულისტანის საზავო ხელშეკრულებითაც (1813) დადასტურდა. ამავე ომის დროს რუს. ჯარმა ორჯერ ა სცადა ერევნის დაპყრობა, მაგრამ უშედეგოდ.

1826 ირანმა დაიწყო ომი რუს. წინააღმდეგ დაკარგული სამფლობელოების დასაბრუნებლად. 1826—28 რუსეთ-ირანის ომის დროს რუს. ჯარებმა ჯერ გენ. ა. *ერმოლოვისა* და შემდეგ ი. *პასკევიჩის* მეთაურობით ირანელებისაგან გაათავისუფლეს ერევნისა და ნახჭევანის სახანოები (ერევანი რუსებმა 1827 ოქტ. აიღეს).). ბრძოლა გაგრძელდა ირან. ტერიტორიაზე. რუსებმა გაათავისუფლეს ქ. თავრიზი და მიიწევდნენ ირან. ცენტრისაკენ, რის გამოც ირანი იძულებული გახდა დაზავებულიყო. თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებით (1828) რუს. შემადგენლობაში შევიდა აღმ. ს-ის დანარჩენი რ-ნებიც — ერევნისა და ნახჭევანის სახანოები — რ-ის საფუძველზე შეიქმნა ს-ის ოლქი (იარსება 1840-მდე). 1828—29 რუს.-ოსმ. ომის დროს რუს. ჯარმა დაიკავა დას. ს. (ყარსი, ბაიაზიდი, არზრუმი და ა. შ.), მაგრამ ადრიანოპოლის ზავით 1829 ეს ტერიტ. კვლავ ოსმალეთს დაუბრუნდა და დას. ს. ამჯერადაც ოსმ. უღელქვეშ აღმოჩნდა.

აღმ. ს-ის რუსეთთან შეერთებას უდიდესი პრო-გრ. მნიშვნელობა ჰქონდა: მოსახლ.-ის გადარჩა ფიზ. განადგურებას, ეზიარა რუს. ეკონ. და კულტ. ცხოვრებას.

1870 საგლეხო რეფორმამ ხელი შეუწყო კაპიტალ. ურთიერთობის განვითარებას ს აღმ. ს-ში. თუმცა რეფორმის შემდეგაც საუკეთესო მიწები მემამულეებს, ეკლესიასა და სახელმწიფოს დარჩა.

XIXIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საგრძნობლად განვითარდა აღმ. ს-ის მრეწველობა. გაჩნდა ახ. სარეწები, გაიზარდა სპილენძის, ღვინისა და კონიაკის წარმოება. მრეწვ. განვითარებას ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში რკინიგზის ინტენს. მშენებლობა.

ოსმ. უღელქვეშ დარჩენილ დას. ს-ში გაძლიერდა სომეხთა სოც. და ეროვნ. ჩაგვრა. დას. სომხები არაერთგზის აჯანყებულან (ზეითუნელთა აჯანყება 1862; ; განმათ. მოძრაობა 1870—80). რუს.-ოსმ. ომების (1853—56; 1877—78) დროს დას. ს-ში მცხოვრები სომხები ოსმ. ულტიმატუმებს უწევდნენ რუს. ჯარს. რუს. მთავრობამ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში (1878) შეიტანა სპეც. მუხლი, რ-ის თანახმად ოსმ. მთავრობას უნდა გაეტარებინა რეფორმები სომხებით დასახლ. ტერიტორიაზე და დაეცვა მათი უშიშროება. ამავე წელს ევრ. სახელმწიფოებისს მონაწილეობით ბერლინში ჩატარებულ კონგრესზე (სადაც დას. სომხების ინტერესებს იცავდა კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი სომხების დელეგაცია), სან-სტეფანოს ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთს კვლავ დაუბრუნდა და დას. ს. ამჯერადაც ოსმ. უღელქვეშ აღმოჩნდა.

აღმ. ს-ის რუსეთთან შეერთებას უდიდესი პრო-გრ. მნიშვნელობა ჰქონდა: მოსახლ.-ის გადარჩა ფიზ. განადგურებას, ეზიარა რუს. ეკონ. და კულტ. ცხოვრებას.

1870 საგლეხო რეფორმამ ხელი შეუწყო კაპიტალ. ურთიერთობის განვითარებას ს აღმ. ს-ში. თუმცა რეფორმის შემდეგაც საუკეთესო მიწები მემამულეებს, ეკლესიასა და სახელმწიფოს დარჩა.

XIXIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საგრძნობლად განვითარდა აღმ. ს-ის მრეწველობა. გაჩნდა ახ. სარეწები, გაიზარდა სპილენძის, ღვინისა და კონიაკის წარმოება. მრეწვ. განვითარებას ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში რკინიგზის ინტენს. მშენებლობა.

ოსმ. უღელქვეშ დარჩენილ დას. ს-ში გაძლიერდა სომეხთა სოც. და ეროვნ. ჩაგვრა. დას. სომხები არაერთგზის აჯანყებულან (ზეითუნელთა აჯანყება 1862; ; განმათ. მოძრაობა 1870—80). რუს.-ოსმ. ომების (1853—56; 1877—78) დროს დას. ს-ში მცხოვრები სომხები ოსმ. ულტიმატუმებს უწევდნენ რუს. ჯარს. რუს. მთავრობამ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში (1878) შეიტანა სპეც. მუხლი, რ-ის თანახმად ოსმ. მთავრობას უნდა გაეტარებინა რეფორმები სომხებით დასახლ. ტერიტორიაზე და დაეცვა მათი უშიშროება. ამავე წელს ევრ. სახელმწიფოებისს მონაწილეობით ბერლინში ჩატარებულ კონგრესზე (სადაც დას. სომხების ინტერესებს იცავდა კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი სომხების დელეგაცია), სან-სტეფანოს ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთს კვლავ დაუბრუნდა და დას. ს. ამჯერადაც ოსმ. უღელქვეშ აღმოჩნდა.

აღმ. ს-ის რუსეთთან შეერთებას უდიდესი პრო-გრ. მნიშვნელობა ჰქონდა: მოსახლ.-ის გადარჩა ფიზ. განადგურებას, ეზიარა რუს. ეკონ. და კულტ. ცხოვრებას.

1870 საგლეხო რეფორმამ ხელი შეუწყო კაპიტალ. ურთიერთობის განვითარებას ს აღმ. ს-ში. თუმცა რეფორმის შემდეგაც საუკეთესო მიწები მემამულეებს, ეკლესიასა და სახელმწიფოს დარჩა.

XIXIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საგრძნობლად განვითარდა აღმ. ს-ის მრეწველობა. გაჩნდა ახ. სარეწები, გაიზარდა სპილენძის, ღვინისა და კონიაკის წარმოება. მრეწვ. განვითარებას ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში რკინიგზის ინტენს. მშენებლობა.

ოსმ. უღელქვეშ დარჩენილ დას. ს-ში გაძლიერდა სომეხთა სოც. და ეროვნ. ჩაგვრა. დას. სომხები არაერთგზის აჯანყებულან (ზეითუნელთა აჯანყება 1862; ; განმათ. მოძრაობა 1870—80). რუს.-ოსმ. ომების (1853—56; 1877—78) დროს დას. ს-ში მცხოვრები სომხები ოსმ. ულტიმატუმებს უწევდნენ რუს. ჯარს. რუს. მთავრობამ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში (1878) შეიტანა სპეც. მუხლი, რ-ის თანახმად ოსმ. მთავრობას უნდა გაეტარებინა რეფორმები სომხებით დასახლ. ტერიტორიაზე და დაეცვა მათი უშიშროება. ამავე წელს ევრ. სახელმწიფოებისს მონაწილეობით ბერლინში ჩატარებულ კონგრესზე (სადაც დას. სომხების ინტერესებს იცავდა კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი სომხების დელეგაცია), სან-სტეფანოს ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთს კვლავ დაუბრუნდა და დას. ს. ამჯერადაც ოსმ. უღელქვეშ აღმოჩნდა.

გამოიწვია, წარმოიქმნა მრავალი მიმდინარეობა, რ-იც ასახავდა გარკვეული სოც. ფენის ინტერესებს და სახავდა სომეხი ხალხის სოც. და ეროვნ. ჩაგვრისაგან განთავისუფლების თავისეულ პროგრამას. სომხ. რევ. დემოკრატიის სათავეში იდგა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მიმდევარი მ. ნალბანდიანი. სომეხი ხალხის განმათ. მოძრაობის შემდეგ ეტაპზე დას. და აღმ. ს-ში შეიქმნა მრავალი საიდუმლო ჯგუფი და ორგანიზაცია. ბევრი მათგანი ოსმ. მთავრობამ და ცარიზმმა დაარბია. XIX ს. II ნახევარში გაჩნდა სომხ. პოლიტ. პარტიები: „არმენაკანი" (1885), „ჰნჩაკი" (1887), „დაშნაკცუთიუნი" (1890).

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ს-ში გავრცელდა მარქსიზმი. 1899 ს. *შაუმიანმა* ჯულალოღლიში (ახლანდ. სტეფანავანი) შექმნა პირველი მარქსისტული ჯგუფი. 1902 ჩამოყალიბდა სომეხი სოციალ-დემოკრატების კავშირი, რ-იც ლენინური „ისკრის" პოზიციებზე იდგა. 1902—05 შეიქმნა რსდმპ ალექსანდროპოლის, ყარსის, სარიყამიშის, ერევნის, ლორის ორგანიზაციები, რ-ებიც კავკასიის რსდმპ ორგანიზაციაში შედიოდა. სომეხი რევოლუციონერების წრიდან გამოვიდნენ თვალსაჩინო რევოლუციონერები — ს. შაუმიანი, ბ. *კნუნიანცი*, ს. *სპანდარიანი* და სხვ.

1905—07 რუს. პირველი რევ. დროს ს-ის მშრომელები მთელი ქვეყნის პროლეტარებთან ერთად გამოვიდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. გაძლიერდა ს-ის გლეხობის რევ. მოძრაობა.

I მსოფლიო ომის დროს სომეხმა ხალხმა საშინელი ტრაგედია გადაიტანა. 1915—16 ოსმ. მმართველმა წრეებმა სომხების გენოციდი განახორციელეს, რამაც 1,5 მლნ. მოსახლ. იმსხვერპლა დას. ს-ის 600 ათ-ზე მეტი მოსახლე იძულებით გადაასახლეს მესოპოტამიის უდაბნოში, სადაც უმრავლესობა დაიღუპა. დაახლ. 300 ათ. სომეხი რუსეთში გადასახლდა, დანარჩენები — ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და ამერიკაში. დას. ს. დაცარიელდა.

1917 მარტში დროებითმა მთავრობამ ამიერკავკ. მართვისათვის შექმნა სპეც. ამიერკავკ. განსაკუთრებული კომიტეტი, რ-იც რუს. ბურჟ. და მემამულეების ინტერესებს იცავდა. ამავე დროს ერევანში, ალექსანდროპოლში, ყარსში, ღაფანსა და სხვ. ქ-ებში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. ამიერკავკასიაში, ისე როგორც მთელს ქვეყანაში, შეიქმნა ორხელისუფლებიანობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ს-ში. დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ გაათავისუფლა სომეხი ხალხი. 1917 წ. 29 დეკ. საბჭ. რუს. მთავრობამ მიიღო დეკრეტი „თურქეთის სომხეთის შესახებ", რ-საც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი. მასში ეროვნ. თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განხილული იყო სომეხი ხალხის განთავისუფლებისა და თვითგამორკვევის პროგრამა. თუმცა შექმნილმა ვითარებამ ხელი შეუშალა დეკრეტის განხორციელებას. ამიერკავკასიაში ხელისუფლების სათავეში მოექცა ბურჟ. ეროვნ. პარტიები, რ-ებმაც ბრძოლა გამოუცხადეს რევ. მოძრაობას და ამიერკავკასია გათიშა საბჭ. რუსეთისაგან (1918 თებ.). მალე, შინაგანი წინააღმდეგობის გამო, ეს ფედერაცია გაიყო დამოუკიდებელ საქართვ., აზერბ. და ს-ის რესპუბლიკებად. 1918 წ. 28 მაისს შეიქმნა ს-ის ბურჟ. რესპუბლიკა, რ-ის სათავეში დაშნაკების ნაციონალური პარტია მოექცა (იხ. *„დაშნაკცუთიუნი"*).

ს-ის ბურჟ. რესპ. შექმნამდე, 1918 აპრ-ში ოსმალეთმა დაარღვია ბრესტის ზავი (1918) და დაიწყო სამხ. მოქმედება ამიერკავკ. წინააღმდეგ. თურქები შეიჭრნენ აღმ. ს-ში და ააოხრეს იგი. 1918 მაისში ს-ის რეგულარული ჯარის ნაწილებმა მოლაშქრეებთან ერთად დაამარცხეს თურქები სარდარაპატთან, ბაშ-აპარანთან და ყარაქილისასთან და განადგურებისაგან იხსნეს ერევანი და არარატის ველი. მაგრამ ამას ომის მსვლელობა არ შეუცვლია. თურქებმა მიაღწიეს სეპარატიულ ზავს, რ-ის მიხედვით ამიერკავკ. რესპუბლიკები „დამოუკიდებლობას" ინარჩუნებდნენ. ოსმალეთსა და ს-ის ბურჟ. რესპუბლიკას შორის დადებული ბათუმის ხელშეკრულების (1918 ივნ.) თანახმად, დაშნაკების ხელისუფლებას დაექვემდებარებული ს-ის ტერიტ. 10 000 *კმ²*-მდე შემცირდა. ს-ის დანარჩენი მიწები თურქებმა დაიკავეს. ამიერკავკასიიდან, მ. შ. ს-იდანაც, ოსმალეთმა ჯარები მხოლოდ 1918 ოქტ-ში გაიყვანა. ბურჟ. მთავრობის ანტიხალხ. პოლიტიკამ ხალხის მასების აღშფოთება გამოიწვია, 1920 მაისში სომეხი მშრომელები აჯანყდნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ დაშნაკების მთავრობამ ქვეყანაში სოც. დასაყრდენი დაკარგა.

1920 სექტ. ოსმალეთმა კვლავ წამოიწყო ომი ს-ის წინააღმდეგ. ს-ის ჯარი დამარცხდა და უკან დაიხია. თურქებმა დაიკავეს ს-ის თითქმის 2/3 ნაწილი. ამ კრიტ. მომენტში მშრომელებმა ხელში აიღეს ქვეყნის ბედზე ზრუნვა. 29 ნოემბ. ს-ის კომპარტიის ხელმძღვანელობით მშრომელები აღდგნენ დაშნაკების წინააღმდეგ. ბურჟ. მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. 1920 წ. 29 ნოემბ. ს-ის რევოლუციურმა კომიტეტმა ს. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად გამოაცხადა და ვ. ი. ლენინს აცნობა საბჭ. ხელისუფლების გამარჯვება. ს-ის რევკომის თავ-რის ს. *კასიანისადმი* გამოგზავნილ დეპეშაში ვ. ი. ლენინი მიესალმა იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭ. ს-ს.

ს. სოციალიზმის მშენებლობას პერიოდში (1920 — 40-იანი წწ.) საბჭ. ს-ში პირველი სოციალ. ღონისძიებანი რთულ ვითარებაში განხორციელდა, რაც განპირობებული იყო ქვეყნის უკიდურესად მძიმე ეკონ. მდგომარეობით. რესპ. მნიშვნელოვან ნაწილში საბჭ. ხელისუფლების მტრული ძალები ბატონობდნენ. ალექსანდროპოლის მაზრა ოსმ. ხელში იყო. ლორის დიდი ნაწილი, ე. წ. „ნეიტრალური ზონა", დაკავებული ჰქონდათ ქართვ. მენშევიკებს. ზანგეზურში გამაგრებული იყვნენ დაშნაკები. არსებულ პირობებში საბჭ. ხელისუფლება, ერთი მხრივ, ცდილობდა ქვეყანაში მოეწესრიგებინა ცხოვრების რიტმი, მეორე მხრივ, ოკუპანტებისა და დაშნაკებისაგან გაეწმინდა რესპ. ტერიტორია. ს-ის რევკომის დეკრეტებით ნაციონალიზებულ იქნა მიწა, მსხვილი სამრეწვ. საწარმოები, ტრანსპორტი, შეიქმნა სასამართლო ორგანოები, საგანძურო ჩაყარა კულტ. მშენებლობას. ვ. ი. ლენინის წინადადებით საბჭ. რუსეთმა დიდი ეკონ. დახმარება გაუწია ს-ს, დაიწყო სახ. მეურნ. აღდგენა.

1921 თებ-ში იფეთქა დაშნაკების მიერ მოწყობილმა ანტისაბჭ. აჯანყებამ. წითელი არმიისა და XI წითელი არმიის ნაწილებმა აპრ-ში ჩაახშვეს ეს აჯანყება. 1921 ივლ-ში დაშნაკებისაგან გაათავისუფლეს ზანგეზური, 1921 აპრ-ში საბჭ. რუს. მთავრობის მოთხოვნით ოსმ. ჯარები გავიდნენ ალექსანდროპოლის მაზრიდან. 1921 თებ-ში ლორის რ-ში იფეთქა ამბოხებამ მენშევიკების წინააღმდეგ. აჯანყებულებს მხარს უჭერდნენ ს-ისა და საქართვ. კომუნისტური ორგანიზაციები. ლორე გაათავისუფლეს და აღადგინეს საბჭ. ხელისუფლება. ს-ში ხელმძღვ. სამუშაოზე დაინიშნა ცნობილი პარტ. და სახელმწ. მოღვაწე ა. *მიასნიკოვი* (მიასნიკიანი). მან ამიერკავკასიაში ჩამოიტანა ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილი —

სომხეთის კომპარტიის ყრილობები

I.	26—29 იანვ.	1922
II.	13—17 მარტი	1923
III.	5—10 მაისი	1924
IV.	30 ნოემბ.—4 დეკ.	1925
V.	13—19 ნოემბ.	1927
VI.	20—29 იანვ.	1929
VII.	24—28 მაისი	1930
VIII.	17—23 იანვ.	1932
IX.	10—13 იანვ.	1934
X.	26 მაისი—2 ივნ.	1937
XI.	2 — 6 ივნ.	1938
XII.	26—28 თებ.	1939
XIII.	11 — 12 მარტი	1940
XIV.	12—14 ნოემბ.	1948
XV.	20—22 მარტი	1951
XVI.	20—22 სექტ.	1952
XVII.	14—17 თებ.	1954
XVIII.	19—21 იანვ.	1956
XIX.	25—27 იანვ.	1958
XX.	10—13 იანვ.	1959
XXI.	10—12 თებ.	1960
XXII.	21—23 სექტ.	1961
XXIII	7—8 იანვ.	1964
XXIV.	3—5 მარტი	1966
XXV.	25—26 თებ.	1971
XXVI.	20—22 იანვ.	1976
XXVII.	22—24 იანვ.	1981

სომხეთის ალკკ ყრილობები

I.	21—22 აგვ.	1921
II.	3—6 ივნ.	1922
III.	1—5 ოქტ.	1923
IV.	18—23 თებ.	1926
V.	29 მარტი—5 აპრ.	1928
VI.	17—22 მაისი	1929
VII.	20—23 დეკ.	1930
VIII.	5—8 ივნ.	1932
IX.	12—15 თებ.	1936
X.	20—22 ოქტ.	1937
XI.	7—11 თებ.	1939
XII.	27—29 სექტ.	1940
XIII.	8—10 დეკ.	1947
XIV.	23—25 იანვ.	1949
XV.	27—29 დეკ.	1950
XVI.	2—3 დეკ.	1952
XVII.	15—17 იანვ.	1954
XVIII.	15—16 დეკ.	1955
XIX.	17—18 თებ.	1958
XX.	26—27 იანვ.	1960
XXI.	2—3 თებ.	1962
XXII.	23—24 იანვ.	1964
XXIII.	10—11 თებ.	1966
XXIV.	5—6 მარტი	1968
XXV.	12—13 მარტი	1970
XXVI.	2—3 მარტი	1972
XXVII.	20—21 თებ.	1974
XXVIII.	1—2 მარტი	1978
XXIX.	8—9 აპრ.	1982

„აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“, რ-იც კავკ. კომუნისტებისათვის სოციალიზმის აშენების პროგრამად იქცა.

1922 წ. 30 იანვ. — 4 თებ. ჩატარდა ს-ის საბჭოების I ყრილობა, სადაც დაამტკიცეს ს-ის სსრ კონსტიტუცია. 1922 წ. 12 მარტს ს-ს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭ. ფედერ. სოციალ. რესპ. (ასფსრ) შექმნის შესახებ. 1922 წ. 30 დეკ. ს. ასფსრ-თან ერთად შევიდა სსრკ შემადგენლობაში. 1936, ასფსრ-ის გაუქმების შემდეგ, ს. შევიდა სსრკ შემადგენლობაში, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1937 წ. 23 მარტს სომხ. სსრ საბჭოების IX ყრილობაზე მიიღეს რესპუბლიკის ახ. კონსტიტუცია, სადაც აისახა სოციალ. მშენებლობის მიღწევები.

1920-იანი წწ. ბოლოს რესპუბლიკაში წარმატებით დასრულდა სახ. მეურნ. აღდგენა. შემჭიდროვებულ ვადაში ს. ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკად გადაიქცა. რესპუბლიკაში განხორციელდა სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია, ჩატარდა კულტ. რევოლუცია. აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა, შეიქმნა სკოლისა და უმაღლესი განათლების საბჭ. სისტემა, რაც მუშათა კლასისა და ინტელიგენციის კვალიფიციური კადრების მომზადების საშუალებას იძლეოდა. განვითარდა მეცნ. ლიტ-რისა და ხელოვნ. დარგები.

სომხ. სსრ-ში, როგორც ყველა საბჭ. რესპუბლიკაში, ძირითადად შეიქმნა სოციალ. საზ-ბა. ქვეყნის წინაშე პარტიამ დააყენა ეკონ. პოტენციალის შემდგომი აღმავლობისა და სოციალ. საზ-ბის განვითარებისა და განმტკიცების ამოცანა. 1938—40 ს-ში აშენდა მსხვ. მრეწვ. საწარმოები, გაფართოვდა და გაძლიერდა ქიმ. მრეწვ., ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა. 1940 რესპ. საერთო პროდუქცია 1937-თან შედარებით 68%-ით გაიზარდა. საბჭ. ხალხის მშვიდობიანი შრომა შეწყვიტა დიდმა სამამულო ომმა.

ს. დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) და ომის შემდგომ პერიოდში. დიდი სამამულო ომის დროს სომხ. სსრ სახ. მეურნეობა სამხ. ყაიდაზე გადაკეთდა. დაიწყო 300 სახის სამხარი იარაღის წარმოება. გაიზარდა მნიშვნელოვანი ნედლეულის (კაუჩუკი, სპილენძი, კარბიდი და სხვ.) მოპოვება. ომის წლებში რესპუბლიკაში აშენდა 30-ზე მეტი ახ. სამრეწვ. საწარმო და საამქრო. მანქანათმშ. საერთო პროდუქცია გაიზარდა 70%-ით, ქიმ. მრეწვ. ნაწარმი — 21%-ით, ელექტროენერგიის წარმოება — 16%-ით. ფრონტზე წასული მამაკაცები წარმოებებში ქალებმა და ახალგაზრდებმა შეცვალეს (1945 მშრომელი მოსახლ. საერთო რიცხვის 55%-ზე მეტს ქალები შეადგენდნენ), ომის წლებში სოფლის მშრომელები ასრულებდნენ სოფ. მეურნ. პროდუქტების დამზადების სახელმწ. გეგმას. ფაშიზმზე გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე სომხ. ინტელიგენციამ, რ-იც შრომობდა სამეცნ.-კვლევით დაწესებულებებში, სკოლებში, ინ-ტებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში.

ომის წლებში სსრკ შეიარაღებული არმიის რიგებში მობილიზებულ იქნა დაახლ. 450 ათ. სომეხი. შეიქმნა 6 ეროვნ. დივიზია. 102 სომეხს და ს-ში დაბადებულ მოქალაქეს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ორ მათგანს — მფრინავს ნ. სტეფანიანს და საბჭ. კავშირის მარშალს ი. *ბაგრამიანს* ეს წოდება 2-ჯერ მიენიჭა. საბჭ. არმიის გენერალიტეტში იყო დაახლ. 60 სომეხი გენერალი, მ. შ. საბჭ. კავშირის ფლოტის ადმირალი ი. *ისაკოვი*, საბჭ. კავშირის მარშალი ი. ბაგრამიანი, ავიაციის მარშალი ს. ხუდიაკოვი (ხანფერიანი), საჯაშნო სატანკო ჯარის მთავარი მარშალი ა. ბაბაჯანიანი და სხვ. სომეხი ხალხის შვილებმა აქტ. მონაწილეობა მიიღეს პარტიზ. ბრძოლებში, კერძოდ უკრ., ბელორ., ჩრდ. კავკ., ყირიმის ტერიტორიებზე. საზღვარგარეთ მცხოვრები პროგრესულად განწყობილი სომხები მონაწილეობდნენ ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ომის დამთავრების შემდეგ განახლდა მშვიდობიანი მშენებლობა. 1950-იანი წწ. დასასრ. სომხ. სსრ-მ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოც.-ეკონ. და კულტ. განვითარებაში. 1959 რესპ. მრეწვ. საერთო პროდუქცია 1940 დონესთან შედარებით 609%-ით გაიზარდა. 60-იანი წწ. მიჯნაზე მრეწვ., მშენებლობის, ტრანსპ. და კავშირგაბმ. წვლილი საზ. საერთო პროდუქციაში 85,9%-ს შეადგენდა.

1958 სომხ. სსრ სოციალ. მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ს. განვითარებული სოციალიზმის პირობებში. 1960-იანი წწ. მიჯნაზე ჩვენი ქვეყანა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში შევიდა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გრძელდება უმთავრესად ს-ის უპირატესი ინდუსტრიული განვითარება, რასაც თან ახლავს პროგრ. სტრუქტურული ძვრები. ს-ის მრეწვ. წარმოების მოცულობა 1970 სამრეწვ. პროდუქციის ტემპების ზრდის მიხედვით სსრ კავშირში III ადგილზე იყო (ბელორ. და აზერბ. შემდეგ). განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა მრეწვ. ის დარგები, რ-ებიც მეცნ.-ტექ. პროგრ. საფუძველს ქმნის (მანქანათმშ., ენერგეტიკა, ქიმ. მრეწველობა).

1980 სოფ. მეურნ. პროდუქციამ 1965-თან შედარებით 170% შეადგინა. 60-იანი წწ. ბოლოსა და 70-იანი წწ. დასაწყისში მეურნეობათა გაერთიანებებმა და აგროსამრეწვ. კომპლექსებმა ხელი შეუწყო სოფ. მეურნ. წარმოების გადასვლას ინდუსტრ. ბაზაზე. ს. უზარმაზარ ეკონ. პოტენციალს ფლობს, რაც საშუალებას იძლევა შეუფერხებლად გაფართოვდეს რესპ. მონაწილეობა შრომის განაწილებაში კავშირის მასშტაბით, გაზარდოს მისი წვლილი კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის პროგრამის განხორციელებაში. გაიზარდა საზ.-ბის ძირითადი მწარმოებლური ძალის — მუშათა კლასის რიცხვი და ხვ. წ. 1965 რესპ. სახ. მეურნეობაში დაკავებული იყო 175,8 ათ. მოსამსახურე და ინტელიგენტი, 1980 წ. — 355,1 ათ., ე. ი. ამ სოც. ჯგუფის აბსოლ. რიცხვი ორჯერ გაიზარდა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში რესპ. საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში გაღრმავდა სოციალ. დემოკრატია, გაიზარდა მშრომელთა მონაწილეობა სახელმწ. მართვაში, ამაღლდა სკკპ ხელმძღვ. როლი და სხვ. 1978 აპრ. ს-ის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სომხ. სსრ ახ. კონსტიტუცია, რ-საც საფუძვლად დაედო სსრკ 1977 კონსტიტუცია. გაიზარდა მშრომელთა *რ*ოლი საბჭოების მუშაობაში. 1982 ივნ. სომხ. სსრ ადგილ. საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობაში მუშები შეადგენდნენ 50,6%, კოლმეურნეები — 19,3%.

სამეურნეო და კულტ. მშენებლობაში დიდი მიღწევებისათვის 1968 ს. დაჯილდოვდა მეორე ლენინის ორდენით. ს-ის რუსეთთან შეერთების 150 წელთან დაკავშირებით 1978-ში — მესამე ლენინის ორდენით. 1970 ს. დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 1972 — ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ლიტ.: Адонц Н. Г., Армения в эпоху Юстиниана, 2 изд., Ер., 1971; Джавахишвили И. А., Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. 1, СПб., 1905; Великая Октябрьская Социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сборник документов, Ер., 1957; История армянского народа с древнейших времен до наших дней, Ер., 1980; Петрушевский И. П., Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX в., Л., 1949; Советская Армения в годы Великой Отечественной войны (1941—1945 гг.). Сборник документов и материалов, Ер., 1975; Հայ ժողովրդի պատմություն, հ. 1,3—4, Ե., 1971, 1972 — 76; Մանանդյան Հ., Քննական տեսություն հայ ժողովրդի պատմության, հ. 1—3, Ե., 1945—60 (Երկեր, հ. 1 — 3, Ե., 1977—78).

VI. ს-ის კომუნისტური პარტია

ს-ის კომუნისტური პარტია სკკპ შემადგენელი ნაწილია. სომეხ მუშათა პირველი რევ. ორგანიზაციები აღმოცენდა XIX ს. დასასრულს. ქ. თბილისში 1892 შეიქმნა „სომეხ მუშა-რევოლუციონერთა ასოციაცია“, 1898 — ჩამოყალიბდა სომეხ მუშათა მარქსისტული ჯგუფი. 1902 თბილისში დაარსდა *სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“* (ს. შაუმანი, ბ. კნუნიანცი, ა. ზურაბიანი და სხვ.), რ-მაც თავი რსდმპ-ის ნაწილად გამოაცხადა. 1905—07 რევ. წინ ს.-დ. ორგანიზაციები და ჯგუფები არსებობდა ერევანში, ალექსანდროპოლში, ყარსში, სარიყამიშში, ნორ-ბაიაზეთში, ღაფანში, ლორის მაზრაში. 1905—07 რევ. დროს სომეხი ბოლშევიკები აწყობდნენ გაფიცებსა და დემონსტრაციებს (ალავერდი), გლეხთა გამოსვლებს (ახპატი), პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ არმიაში. რევ. დამარცხების შემდეგ ს-ის მრავალ აღგილას მუშაობდა რსდმპ იატაკქვეშა ორგანიზაციები. I მსოფლიო ომის წლებში სომეხი ბოლშევიკები იბრძოდნენ ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მშრომელთა ინტერნაც. შეკავშირებისათვის. 1917 თებ. რევ. შემდეგ სომეხი ბოლშევიკები და მენშევიკები ფორმალურად ერთ პარტიას შეადგენდნენ, მაგრამ 1917 ივლ.-იდან დაიწყო მენშევიკებისაგან გათიშვა. 1919 სექტ. ჩატარდა ს-ის კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა არალეგალური თათბირი, სადაც აირჩიეს რკპ (ბ) სომხკომი — ერთიანი პარტ. ხელმძღვანელობის ცენტრი (ს. ალავერდიანი, ს. კასიანი, ღ. ლუკასიანი, ა. მრავიანი, ს. ხანოიანი და სხვ.). 1920 იანვ. ერევანში ჩატარდა არალეგალური კონფერენცია, რ-მაც დაასრულა ს-ის ბოლშევიკური ორგანიზაციების გაერთიანება. კონფერენციამ მიზნად დაუსახა ბოლშევიკებს მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად. 1920 მაისის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკები იატაკქვეშ გადავიდნენ.

1920 სექტ. რკპ (ბ) ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანში, საქართველოსა და ს-ში ცალ-ცალკე კომპარტიების შექმნის შესახებ; შეიქმნა ს-ის კპ (ბ) ცკ, რ-შიც შევიდნენ ა. კოსტანიანი, ი. დოვლათიანი, ა. ნურიჯანიანი, ა. ხანჯიანი და მოგვიანებით — ს. კასიანი, ს. ტერ-გაბრიელიანი, ა. ბეკზადიანი. ს-ის კომპარტია სათავეში ჩაუდგა დაშნაკების წინააღმდეგ ბრძოლას. 1920 წ. 29 ნოემბ. ს-ში დამყარდა საბჭ. ხელისუფლება.

1922 იანვ. ჩატარდა ს-ის კპ (ბ) I ყრილობა, რ-მაც განიხილა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ეკონ. აღდგენისა და სხვ. საკითხები. სოციალ. მშენებლობის წლებში ს-ის კომპარტია სათავეში ჩაუდგა სახ. მეურნ. აღდგენის, ინდუსტრიალიზაციის, სოფ. მეურნ. კოლექტივიზაციის, კულტ. რევ. განხორციელებას. იგი იცავდა პარტიის ლენინურ გენ. ხაზს სხვადასხვა ანტიპარტიულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1941—45 დიდი სამამულო ომის დროს ს-ის კომპარტიამ შეაკავშირა მშრომელები საბჭ. არმიისათვის რესპუბლიკაში მტკიცე ზურგის შესაქმნელად. 1941—43 წლებ-

სომხეთი



ქარხანა „პოლივინილაცეტატი".



თიხის გადასაზიდი ბაგირგზა თუმანიანის ცეცხლგამძლე მასალების ქარხანაში.

ში 36,9 ათ. კომუნისტიდან 20 ათ-ზე მეტი ფრონტზე წავიდა.

სოციალ. საზ-ბის შემდგომი განვითარების დროს და მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ს-ის კომპარტიამ მშრომელთა მუშაობა წარმართა ეკონ. შემდგომი განვითარებისაკენ, სოციალ. კანონმდებლობის განმტკიცებისაკენ, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტიურობის ამაღლებისაკენ. ს-ის კომპარტიამ მთლიანად დაუჭირა მხარი ოქტომბრისა (1964) და შემდგომი წლების სკკპ ცკ-ის პლენუმებისა და სკკპ XXIV, XXV და XXVI კრებების ისტ. გადაწყვეტილებებს.

ს-ის კომპარტიაში 1984 წ. 1 იანვ. ირიცხებოდა 170 665 სკკპ წევრი და 6865 წევრობის კანდიდატი.

ლიტ.: ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, იბ., 1971; Очерки истории Коммунистической партии Армении, Ер., 1967.

VII. ს-ის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი

ს-ის ალკკ საკავშ. ალკკ შემადგენელი ნაწილია. პირველი ახალგაზრდული რევ. წრეები ს-ში თებ. რევ. შემდეგ შეიქმნა. 1919 ერევანში დაარსდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა კავშირი „სპარტაკი". ს-ის კომკავშირის ორგანიზატორები იყვნენ ღ. ღუკასიანი, ა. ბუდაღიანი, ა. ხანჯიანი და სხვ. სომეხმა კომკავშირელებმა აქტ. მონაწილეობა მიიღეს 1920 მაისის აჯანყებასა და ს-ში საბჭ. ხელისუფლების დამყარებაში. ს-ში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შეიქმნა ს-ის კომკავშირის ცკ (1921 იანვ.). ს-ის ახალგაზრდათა კომკავშირის ორგანიზაციული ჩამოყალიბება დასრულდა ს-ის კომკავშირის I ყრილობის მოწვევით (1921 აგვ.). 1924 ს-ის კომკავშირს ეწოდა ს-ის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.

სოციალ. მშენებლობის წლებში კომპარტიის ხელმძღვანელობით ს-ის კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა ახალგაზრდობის მობილიზაციის საქმეში ეკონ. ღონეების და განვითარებისათვის, კულტ.-საგან განსახორციელებლად. დიდი სამამულო ომის დროს ფრონტზე გაემგზავრა ს-ის 70 ათ-ზე მეტი კომკავშირელი. ზურგში დარჩენილმა ახალგაზრდობამ შეცვალა ფრონტზე წასული მუშები და ინჟინრები.

სოციალ. საზ-ბის შემდგომი განვითარების პერიოდში და მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ს-ის ალკკ სომხ. პ-თან ერთად ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის შემოქმედებით ინიციატივას, სოცშეჯიბრებებს, დიდ მუშაობას ატარებს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში. 1984 წ., 1 იანვ. ს-ის ალკკ-ის რიგებში 619949 წევრი იყო.

ლიტ.: Аветисян Г. А., Комсомол Закавказья под знаменем пролетарского интернационализма, Ер., 1968; Ленинский комсомол Армении, Ер., 1971.

VIII. პროფესიული კავშირი

პირველი პროფკავშირები ს-ში 1905—07 წლებში აღმოცენდა ერევნის, ყარსის, ალექსანდროპოლის, ალავერდის, ღაფანის სამრეწვ. საწარმოების მუშათა წრეებში. რუს. პირველი რევ. დამარცხების შემდეგ პროფკავშირთა უმრავლესობა გაქრა, ზოგიერთი არალეგალურად მუშაობდა. 1917 თებ. რევ. შემდეგ ს-ში ალაგდინეს პროფკავშირები. სომხ. ბურჟ. ეროვნ. არსებობის წლებში პროფკავშირთა მუშაობა შეზღუდული იყო. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ რესპ. მთავრობაში პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი აღგილი დაიკავა. 1921 ჩატარდა ს-ის პროფკავშირების I ყრილობა.

სოციალ. მშენებლობის პერიოდში, დიდი სამამულო ომის დროს, ომის შემდგომ წლებში, სოციალ. საზ-ბის განვითარებაში და მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ს-ის პროფკავშირი აქტ. მუშაობას ეწეოდა სოციალ. შეჯიბრების გაშლისა და ხელმძღვანელობის, საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, წარმოების რაციონალიზატორთა და ნოვატორთა მოძრაობის გაფართოების, მშრომელთა მატერ. და კულტ. მომსახურების გაუმჯობესების საქმეში. ს-ის პროფკავშირთა განმგებლობაშია კლუბები და კულტ. სასახლეები, ბ-კები, სპორტ. მოწყობილობანი და ბაზები, სანატორიუმები, პროფილაქტორიუმები, დასასვენებელი სახლები. 1984 წ. 1 იანვ. ს-ის პროფორგანიზაციებში იყო 1496 ათ. წევრი.

IX. სახალხო მეურნეობა

საბჭ. პერიოდში ს-ის სახ. მეურნ. სტრუქტურამ დიდი ცვლილებები განიცადა. ეკონომიკაში წამყვანი დარგი გახდა მრეწველობა. 1982 მთლიანი საზ. პროდუქტის 71,6%-ს მრეწვ. იძლეოდა, 8,0%-ს — სოფ. მეურნ., 10,7%-ს — მშენებლობა, 2,3%-ს — ტრანსპორტი და კავშირგაბმ., 7,4%-ს — ვაჭრობა და სხვა დარგები. კაპიტ. დაბანდების მოცულობა სახ. მეურნეობაში 1280 მლნ. მან. შეადგენდა. 1982 მთლიანი საზ. პროდუქტი 1965-თან შედარებით 241%-ით გაიზარდა.

მრეწველობა. ს-ის მრეწვ. ემყარება საკუთარი ნედლეული რესურსების ბაზას (საწვავისა და შაი ლითონების გარდა), ჰყავს მუშათა და სპეციალისტების კვალიფიციური კადრი. საბჭ. პერიოდში შექმნილია მძლავრი ინდუსტრ. პოტენციალი. 1983 მრეწვ. პროდუქციის მოცულობა 1940-თან შედარებით 52,8-ჯერ გაიზარდა.

მრეწვ. ძირითადი დარგებია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, ელექტროენერგეტიკა, ქიმ. და ნავთობქიმ., მსუბუქი, კვების მრეწვ., ფერადი მეტალ., საშენ მასალათა მრეწველობა. მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

1960-იან წლებამდე ს-ის ელექტროენერგეტიკის საფუძველს წარმოადგენდა ჰესები, რ-ებზეც მოდიოდა რესპუბლიკაში წარმოებული ელექტროენერგიის 98%-ზე მეტი. ერევნის, რაზდანის, კიროვაკანის თეცებისა და აესის აგების შემდეგ ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წვლილი შემცირდა. ს-ის ელექტროსადგურები გაერთიანებულია ამიერკავკ. ჰიდროენერგოსისტემაში და მისი საშუალებით უკავშირდება სსრკ ევრ. ნაწილის ერთიან ენერგოსისტემას.

მრეწვ. წამყვანი დარგია მანქანათმშენებლობა. 1970—82 წლებში მანქანათმშ. ხვ. წ. მრეწვ. პროდუქციის საერთო მოცულობაში 18,6-იდან 29%-მდე გაიზარდა. მანქანათმშ. მრავალდარგოვანია, მის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს ელექტროტექნიკას, ჩარხთმშენებლობას, ხელსაწყოთმშენებლობას და ინსტრუმენტულ მრეწველობას. მანქანათსაშ. ქ-ნები აწარმოებს ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს, ავტომატიზაციისა და ბართვის საშუალებებს, სხვადასხვა სახის ჩარხებს, ავტომობილებს, ტრანსფორმატორებს, კომპრესორებს და სხვ. მანქანათმშ. ცენტრებია: ერევანი, ლენინაკანი, ჩარენცავანი, კიროვაკანი, აბოვიანი. ს-ში განვითარებულია ქიმ. მრეწველობა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე განვითარდა სინთეზური ფისების, პლასტმასის, ხელოვნური ბოჭკოს, ლაქებისა და საღებავების წარმოება. მეტად პერსპექტიულია ქიმ. რეაქტივების, ცილოვანი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნების წარმოება. 1960-იან წლებიდან ქიმ. მრეწვ. განვითარების ტემპი შენელდა. ქიმ. მრეწვ. ცენტრებია: ერევანი, კიროვაკანი, ალავერდი. მეტალ. მრეწვ. აწარმოებს სპილენძს, ალუმინს, მოლიბდენის კონცენტრატს, თუთიას, ოქროს. მეტალ. მრეწვ. მთავარი ცენტრებია: ალავერდი, ქაჯარანი, ღაფანი, აგარაკი, ერევანი, ზოდი. სწრაფად ვითარდება საშენ მასალათა მრეწველობა. 1970—82 წლებში ამ დარგის პროდუქციის საერთო მოცულობა 1,6-ჯერ გაიზარდა. საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები (ძირითადი ცენტრებია: ართიკი არარატი, რაზდანი, ნურნუსი, არზნი, არაგაწი. ანიაქმზა, ერევანი, ნორ-ჰაჭნი) აწარმოებენ ტუფს, ბაზალტს, მარმარილოს, სხვადასხვა შემვსებებს, პერლიტებს, ცემენტს ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს და სხვ. სწრაფად ვითარდება მინისა და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა, ამზადებენ ბროლს. პროდუქციის ხვ. წ. მისვლით რესპ. მსუბუქ მრეწველობას მრეწვ. პროდუქციის საერთო მოცულობაში მეორე ადგილი უკავია. მსუბუქი მრეწვ. მნიშვნელოვანი დარგებია საფეიქრო, სამკერვალო, ტყავის, ფეხსაცმლის, ხალიჩების წარმოება, რ-თა ცენტრებია: ერევანი, ლენინაკანი, კიროვაკანი, იჯევანი, სტეფანავანი, გორისი, კაშო.

კვების მრეწვ. ძირითადად სპეციალიზებულია ადგილ. სას.-სამ. ნედლეულის გადამუშავებაზე. კვების მრეწვ. აერთიანებს 150 საწარმოს. მისი ძირითადი დარგებია — მეღვინეობა, კონსერვების წარმოება, პურის ცხობა, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება, მინერ. წყლების ჩამოსხმა. მსოფლიო ბაზარზე გააქვთ კონიაკი, ზოგიერთი მარკის ღვინო, მოკავშირე რესპუბლიკებში — ყველი, ხილის კონსერვები და სხვ.

სოფლის მეურნეობა. ს-ის ეკონომიკაში სოფ. მეურნ. ხვ. წ-ის მკვეთრი დაწევის მიუხედავად მისი პროდუქციის მოცულობა საბჭ. პერიოდში 7-ჯერ გაიზარდა. 1982 მიწის საერთო ფართ. 3 მლნ. ჰა შეადგენდა, რ-ის 43,3% უკავია სას.-სამ. სავარგულებს, დაახლ. 40% უვარგისი გამოუყენებელი მიწებია. 1984 ს-ში იყო 281 კოლ-ბა, 491 საბჭ. მეურნ. და 77 მეურნეობათაშორისი საწარმო და გაერთიანება. ს-ში განვითარებულია მევენახეობა და მებაღეობა, მოჰყავთ ტექ. და ბოსტნეული კულტურები. სას.-სამ.

ცხრ. 1.—მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1913	1940	1960	1983
ელექტროენერგია (მლნ. *კვტ. სთ*)	5,1	395	2747	13900
ცვლადი დენის გენერატორები (*მეგვტ*)	—	—	1147	1679
მობრავი ელექტროსადგურები (*მეგვტ*)	—	—	653	733
ცვლადი დენის ელექტროძრავები (*მეგვტ*)	—	—	382	1213
ძალური ტრანსფორმატორები (ათ. *კვ. ა*)	—	—	3501	7348
ელექტრონათურები (მლნ. ც.)	—	—	47,4	187,8
ცენტრიდანული ტუმბოები (ათ. ც.)	—	—	40,8	116,8
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები (ათ. $მ^3$)	—	—	720,5	1260
გოგირდმჟავა (ათ. ტ.)	—	—	61,4	174,6
ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი (ათ. $მ^2$)	—	16,1	130	3257*
წირდის ნაწარმი (მლნ. წყვილი)	—	9,8	32,1	80,7*
საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი (მლნ. ც)	—	3,0	22,9	82,8
ტყავის ფეხსაცმელი (მლნ. წყვილი)	—	0,9	5,3	16
ყველა სახის საყოფაცხოვრებო საათი (ათ. ც.)	—	—	1526	5361
კონსერვები (მლნ. პირობითი ქილა)	1,0	17,3	95,0	438,7
კონიაკი (ათ. *დკლ*)	48	63	311	1035
ღვინო (ათ. *დკლ*)	148	1117	3765	9300*

* 1980.



ს. კიროვის სახელობის სინთეზური კაუჩუკის ქარხანა ერევანში.



ცხერის ფერმა არაგაწის მახლობლად.

კულტურების სათესი ფართობის და მოსავლის შესახებ იხ. ცხრ. 2 და 3.

მეცხოველეობა სპეციალიზებულია სარძეო-სახორცე მიმართულების მსხვ. რქ. საქონლისა და მეცხვარეობის განვითარებაზე. 1983 ბოლოს ს-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 863,5 (მ. შ. ძროხა — 331,2), ცხვარი და თხა —2100,0, ღორი — 301,2; ფრინველი — 12,3 მლნ. ფრთა.

ტრანსპორტი. საერთო ტვირთბრუნვის 56,6% მოდის სარკინიგზო ტრანსპორტზე. 1982 სარკინიგზო ხაზის სიგრძე 767 *კმ* უდრიდა (1913 — 362 *კმ*). სარკინიგზო ტრანსპ. ტვირთბრუნვამ 1980 წ. 5817 მლნ. *ტ/კმ* შეადგინა. 1982 საავტ. გზების სიგრძე 10,8 ათ. *კმ*-ია (1913 — 1 ათ. *კმ*). საავტ. ტრანსპ. ტვირთბრუნვამ 4440 მლნ. *ტ/კმ* შეადგინა. საჰაერო გზით ს. უკავშირდება სსრკ ბევრ დიდ ქალაქს. მოქმედებს საერთაშ. საჰაერო ხაზი ერევან—ბეირუთი. 1982 ერევანს საექსპლუატაციოდ ჩაბარდა აეროპორტი „ზვართნოცი".

მატერიალური კეთილდღეობა. საბჭ. ხელისუფლების წლებში განუხრელად იზრდება ს-ის მოსახლ. მატერ. კეთილდღეობა. 1982 ეროვნ. შემოსავალმა 6278,3 მლნ. მან. მიაღწია. მოსახლ. რეალური შემოსავალი 1970-თან შედარებით 42,9%-ით გაიზარდა. საცალო ტვირთბრუნვის საერთო მოცულობამ 1983 წ. 3052,9 მლნ. მან შეადგინა (1975 —1892,4 მლნ. მან). 1982 ს-ში იყო 676 შემნახველი სალარო, ანაბრების რაოდენობა 1297 ათ. უდრიდა, ხოლო ჯამი—2150 მლნ. მან. ს-ში მიმდინარეობს ინტენს. ბინათმშენებლობა. 1983 გაზიფიცირებულია 24 ქალაქი, 33 დაბა, 914 სოფელი. 1965—83 გაიზარდა ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების, ბოსტნეულის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, შემცირდა პურის პროდუქტებისა და კარტოფილის მოხმარება.

ლიტ.: Армения, М., 1966 (Серия „Советский Союз"); Народное хозяйство Армянской ССР. Юбилейный статистический ежегодник к 60-летию Великого Октября, Ер., 1977; Народное хозяйство Армянской ССР в 1983 г. Статистический ежегодник, Ер., 1984.

X. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1983 შობადობა 1 ათ. მცხოვრებზე შეადგენდა 23,6, სიკვდილიანობა —5,8; ბავშვთა სიკვდილიანობა — 26 ყოველ 1 ათ. ცოცხლად შობილზე. სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა 74 წელი იყო (1980). საბჭ. ხელისუფლების წლებში ლიკვიდირებულია მალარია, ყვავილი, ქოლერა, ტრაქომა, შებრუნებითი ტიფი, მკვეთრად შემცირდა ტუბერკულოზით ავადობა, კანის სნეულებანი, დიფთერია, ყივანახველა. ლიკვიდირებულია პოლიომიელიტი; მიღებული ზომების მიუხედავად, ჯერ კიდევ გავრცელებულია კუჭ-ნაწლავის მწვავე ინფექციები.

1983 რესპუბლიკაში მუშაობდა 169 საავადმყოფო დაწესებულება (28 ათ. საწოლი). 1913წ 6 საავადმყოფო დაწესებულება (212 საწოლი). მოსახლეობას ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დახმარებას უწევდა 490 საექიმო დაწესებულება (1913—16). სტაციონარებში იყო 2929 სპეციალიზებული საწოლი. 1983 სამედ.-პროფილაქტ. დაწესებულებებში მუშაობდა 11900 ყველა სპეციალობის ექიმი და 2900 საშ. სამედ. პერსონალი. რესპუბლიკაში იყო 247 ქალთა კონსულტაცია, ბავშვთა პოლიკლინიკა და ამბულატორია; სამშობიარო სახლებსა და განყ-ებებში — 27,5 ათ. საწოლი ორსულებისა და მშობიარეებისათვის. შექმნილია სანიტ.-ეპიდსაწინააღმდეგო დაწესებულებათა ფართო ქსელი. სამედ. კადრებს ამზადებს ერევნის. სამედ. ინ-ტი. 1963 ერევანში შეიქმნა ექიმთა დახელოვნების ინ-ტი. ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 10 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ს-ში არის სხვადასხვა ქიმ. შედგენილობისა და ტემპარის 350-ზე მეტი სხვადასხვა ჯგუფის მინერ. წყლები. პოპულარულია ჯერმუკის, არზნის, დილიჯანის, პანქავანის, სევანისა და სხვ. მინერ. წყლები. 1980 იყო 89 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი (18,9 ათ. საწოლი).

რესპუბლიკაში ფართოდაა გავრცელებული სპორტი. 1983 ს-ში იყო 3290 ათ. ფიზკულტურის კოლექტივი, 994 ათ-მდე ფიზკულტურელი; 27 სტადიონი.

1982 ჯანდაცვაზე დაიხარჯა 1639, მლნ. მან.

XI. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

1914/15 სასწ. წ. ს-ში იყო 459 (უპირატესად დაწყებითი) სკოლა, სადაც სწავლობდა 34,7 ათ. მოსწავლე. არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. საბჭ. ხელისუფლების დამყარების დროს მოსახლ. 80% წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

საბჭ. ხელისუფლების წლებში მთლიანად მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა; თანმიმდევრულად განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო განათლება ჯერ დაწყ. სკოლის, შემდგომ — არასრული საშ. სკოლის დონეზე, ხოლო 70-იანი წწ. II ნახევარში დამთავრდა გადასვლა საყოველთაო სავალდებულო საშ. განათლებაზე. 1984 ს-ში იყო სკოლამდელ დაწესებულებათა ფართო ქსელი: 1149 საბავშვო ბაგა, ბაღი, ბაგა-ბაღი , სადაც იყო 141,4 ათ. აღსაზრდელი; 1486 ყველა სახის ზოგადსაგანმან. სკოლა, სადაც სწავლობდა 591 ათ. მოსწ., 123 პროფტექ. და ტექ. სასწ. (51 ათ-მდე მოსწ.). 66 საშ. სპეც. სასწავლებელში სწავლობდა 48 ათ. მოსწავლე.

საბჭ. ხელისუფლების პირველსავე წლებში შეიქმნა უმაღლესი განათლების სისტემა, რ-იც უზრუნველყოფდა სახ. მეურნეობისათვის სპეციალისტთა კვალიფიცირებული კადრების მომზადებას. 1984 ს-ში იყო 13 უმაღლესი სასწავლებელი (მ. შ. ერევნის უნ-ტი, კ. მარქსის სახ. პოლიტექ. ინ-ტი, სომხ. სას.-სამ. ინ-ტი, სამედ. ინ-ტი და სხვ., სადაც ეუფლებიან 150 სპეციალობას), სწავლობდა 58 ათ. სტუდენტი.

საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე ს-ში არ იყო სამეცნ. დაწესებულებები. სომეხი მეცნიერები მუშაობდნენ რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. სომხ. სსრ-ში უმაღლესი განათლების სისტემის შექმნის შემდეგ სამეცნ.-კვლ. მუშაობა ტარდებოდა უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებზე. 1921 დაარსდა მეცნ. ინ-ტი (1925-იდან — ენისა და ლიტ-რის ინ-ტი), შემდგომ — სხვადასხვა პროფილის სამეცნ. კვლ. ინ-ტები: სოფ. მეურნ., გეოლ., მცენარეთა დაცვისა და სხვ. 1932—33 შეიქმნა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალი, რომლის ბაზაზე 1935 შეიქმნა სსრკ მეცნ. აკადემიის აზერბ., საქართვ. და სომხ. ფილიალები, ხოლო სომხ. ფილიალის ბაზაზე 1943 შეიქმნა *მეცნიერებათა აკადემია სომხეთის სსრ-ისა* 1984 რესპუბლიკაში იყო 150-ზე მეტი სამეცნ.-კვლ. დაწესებულება: ინ-ტი, ლაბორატორია, სამეცნ.-საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვ. სომხ. სსრ მეცნ. აკად. სისტემაშია 36 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ფილიალი, სექტორი. 1984 რესპუბლიკაში მუშაობდა 22 ათ-ზე მეტი მეცნ. მუშაკი, მ. შ. 705 მეცნ. დოქტორი და 6,2 ათ. მეცნ. კანდიდატი.

1980 ს-ში მუშაობდა 1390 მასობრივი ბ-კა (საერთო ფონდში იყო 22 მლნ-ზე მეტი წიგნი და ჟურნალი), 1239 საკლუბო დაწესებულება, მ. შ. 956 — სოფლად, 47 მუზეუმი, რ-თა შორის დიდმნიშვნელოვანია: სახელმწ. ისტ. მუზეუმი, მატენადარანი, სამხატვრო გალერეა, რევ. მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნ. მუზეუმი და სხვ.

XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

პირველი წიგნი სომხ. ენაზე გამოიცა 1512 ვენეციაში. პირველი სომხ. სტამბა დაარსდა 1567 კონსტანტინოპოლში, შემდეგ ევრ. სხვა ქვეყნებში, რუსეთსა და თბილისში. პირველი პერიოდული გამოცემა — ჟურნ. „აზდარარი" („მაცნე") გამოვიდა 1794 მადრასში (ინდოეთი), 1920-მდე მსოფლიოში სხვადასხვა დროს არსებობდა 450-ზე მეტი სომხ. სტამბა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები და პერიოდული გამოცემები. სომხ. წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის დიდი ცენტრი იყო თბილისში — აღმ., ხოლო კონსტანტინოპოლში — დას. სომხებისათვის.

საბჭ. ხელისუფლების შემდეგ დაიწყო ახ. ეტაპი სომხ. ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში. დაარსდა გამომცემლობები, გაფართოვდა პოლიგრ. ბაზა, აღორძინდა სომხ. პერიოდული ბეჭდვითი სიტყვა, ამჟამად ყოველწლიურად გამოდის 1120-ზე მეტი დასახელების წიგნი, საერთო ტირაჟი — 10352 ათ., მ. შ. 740 სომხ. ენაზე (მაშინ, როცა 1913-ში გამოიცა მხოლოდ 55-მდე დასახელების წიგნი, საერთო ტირაჟი — 80 ათ.). რესპ-ში გამოდის 90-ზე მეტი ჟურნალი და სხვა საჟურნალო პერიოდული გამოცემა, 80-ზე მეტი გაზეთი. 1920-იდან მუშაობს სომხ. ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო — არმენპრესი. რადიომაუწყებლობა მუშაობს 1826-იდან. ერევნის ტელეცენტრი — 1956-იდან. რადიო- და ტელეგადაცემებს მიმდინარეობს სომხ., რუს. და აზერბ. ენებზე, საზღვარგარეთის მსმენელებისათვის — სომხ. და არაბ. ენებზე.

XIII. ლიტერატურა

უძველესი, მრავალჟანროვანი სომხ. ზეპირსიტყვიერების შედევრია ხალხ. საგმირო ეპოსი *„დავით სასუნცი"*. ლიტ-რის დასაწყისი დაკავშირებულია *მეროპ მაშტოცის* მიერ სომხ. ანბანის შექმნასთან (404 — 406). ამავე საუკუნეში შეიქმნა ორიგ. და მთარგმნელობითი ლიტ-რა. ისტორიკოსების — *აგათანგელოსის*, ფავსტოს ბუზანდის, ელიშეს, ლაზარ ფარპეცის, მოვსეს ხორენაცის და ფილოსოფოსების—ეზნიკ კოლბაცისა და დავით ანახტის ნაწარმოებებში უხვადაა მხატვრული ასროვნების ელემენტები.

არაბების ბატონობის პერიოდში (VII—VIII ს. დასაწყ.) საერო მოტივებს ჭარ

ცხრ. 2. — სას.-სამ. კულტურების სათესი ფართობი (ათ. ჰა)

	1913	1940	1960	1983
სათესი ფართობი	345,7	433,7	414,9	447,1
მ. შ.:				
მარცვლეული კულტურები	308,5	340,0	222,3	138,9
ტექ. კულტურები (თამბაქო, შაქრის ჭარხალი, გვრანი)	20,5	35,7	27,3	12
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	12,3	20,3	26,2	38,7
საკვები კულტურები	4,4	37,7	139,1	253,3

ცხრ. 3.—სას.-სამ. კულტურების მთლიანი მოსავალი (ათ. ც)

	1913	1940	1960	1982
ხორბალი	1743	2228	2328	23630*
შაქრის ჭარხალი	—	173	1113	1681
კარტოფილი	474	968	1845	3090
ბოსტნეული	295	326	1465	4776
ყურძენი	585	655,9	915,7	2705
ხილი	147	292	482,9	1504

* 1980.

ბობდა სქოლასტ.-დოგმატ. ლიტ-რა. იწერებოდა აგრეთვე ისტორიოგრაფიული წიგნები (სებეოსი, ჰოვან მამიკონიანი, მოვსეს კალანკატუაცი, ღევონდი). სომხ. ლიტ-რის აღორძინება სახალიფოს უღლისაგან განთავისუფლებულ ს-ში დაკავშირებულია გრიგორ ნარეკაცის სახელთან, რ-მაც პოეზია ჩამოაშორა რელიგიას, უმღერა რეალურ სამყაროს, ბუნებას, ადამიანს. ალორძინების ხანის იდეალებს გამოხატავდნენ მწერლები იოანეს დრასხანაკერტცი და თომა არწრუნი.

XI—XII სს-ში ბიზანტიელების, შემდეგ კი თურქ-სელჩუკების შემოსევამ შეაჩერა ს-ის განვითარება. კილიკიაში დამოუკიდებელი სომხ. სამეფოს შექმნის შემდეგ გამოჩნდნენ პოეტები, რ-თა შორის გამოირჩეოდნენ ჰოვან იმასტასერი, *ნერსეს შნორალი*, გრიგორ ტლა, ნერსეს ლამბრონაცი, საკუთრივ სომხეთში — *მხითარ გოში* და „მელის წიგნის“ შემქმნელი *ვარდან აიგეკცი*.

პროგრესულად მოაზროვნე პოეტები XIII ს-იდან წერდნენ სალაპარაკო ენაზე (საშ. სომხურზე). სომხ. პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან *კოსტანდინ ერზნკაცი*, ჰოვანეს თლკურანცი, *ფკრტიჩ ნალაში*, *ნაჰაპეტ ქუჩაკი*.

ისტ. ბედმა ემიგრაციის გზაზე დააყენა სომეხი ხალხი. XVI ს-იდან სომხ. ბეჭდვითი სიტყვა ვითარდება ვენეციის, კონსტანტინოპოლის, რომის, ამსტერდამის, ხადრასის, კალკუტისა და სხვ. სომხ. კოლონიებში.

XIII—XVI სს. სომხ. ლიტ-რაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია პოეზის ჟანრმა (გრიგორ წერენცი, ხაჩატურ ეჩარეცი, არაქელ ბაღეშეცი, სიმეონ პარანცი და სხვ.). XVIII ს. მწერალთაგან აღსანიშნავია: ბაღდასარ დპირი, პეტროს ღაფანცი, ჰოვნათან *ნალაში*. ამ პოქის სომხ. პოეზიის მწვერვალია *სათნოვას* შემოქმედება. XVIII ს. II ნახ. და XIX ს. დასაწყ. წამყვანი იყო კლასიცისტური ლიტ-რა (არსენ ბაგრატუნი და სხვ.), რ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სომეხი ხალხის ეროვნ. თვითგანვითარების გაღვივებაში.

XIX ს-იდან ხალხის ფართო მასებისაკენ მიუწვდომელი ძვ. სომხ. ენის (გრაბარი) ნაცვლად დამკვიდრდა ახ. სომხ. ენა აშხარაბარი (ა. ალამდარიანი, მ. თაიადიანი და სხვ.). ახ. სომხ. ლიტ-რაში ჯერ რომანტიზმის განვითარება დაკავშირებულია ხ. *აბოვიანის* სახელთან. მის ტრადიციებს აგრძელებენ მოსკოვში ნაზარიანის ჟურნ. „ჰაუსისაფაილის“ („ჩრდილოეთის ნათება“) ირგვლივ დაჯგუფებული მწერლები (ს. შაჰაზიზი და სხვ.). სომხ. საზ. აზროვნების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა მ. *ნალბანდიანის* შემოქმედებამ. 50—60-იანი წწ. ს. ს-ში მისი იდეების მიმდევრები იყვნენ ა. სვაჯიანი, გ. ჩილინკირიანი და სხვ. რომანტ. პოეზიის წარმომადგენელთაგან აღსანიშნავია მ. პეშიკთაშლიანი (1852—1872) და პ. *დურიანი*. 70—80-იან წლებში რ. პატკანიანმა ლექსებში „აშკრული სიმღერები“ (1878) გამოხატა ერის მისწრაფება თურქი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებისაკენ რუს. ხელმარებით. ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა პროზა. სოც.-ყოფითი რომანის დადგენა დაკავშირებულია ღ. *ალიშანის* და პ. *პროშიანის* შემოქმედებასთან. გ. *სუნდუკიანმა* და ა. *შირვანზადემ* საფუძველი ჩაუყარეს რეალისტურ მხატვრულ პროზას. დას. სომხ. ლიტ-რაში ასევე როლი ითამაშა ა. პარონიანმა. ეროვნ.-განმათ. იდეების გამომხატველნი იყვნენ პუბლიცისტი გ. არწრუნი და მისი მიერ თბილისში გამოცემული გაზეთი „მშაკის“ („მუშა“, 1872—1921) თანამშრომლები (რომანისტები *წერენცი* და სხვ., რ-თაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სომხ. ისტ. რომანის განვითარებაშიც).

80—90-იან წლებში დამკვიდრდა კრიტ. რეალიზმი, რ-ის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ თბილისში მოღვაწე მწერლები *ნარ-დოსი*, ა. შირვანზადე, *მურაცანი*, ვ. ფაფაზიანი; დას. ს-ში მოღვაწე ა. არფიარიანი, გ. ზოპრაბი და სხვ. აღსანიშნავია ჰ. *ჰოვანისიანის*, ა. *წატურიანის* შემოქმედება, ჰ. *თუმანიანმა* საფუძველი ჩაუყარა სომხ. რეალისტურ პოეზიას (პოემები „ანუში“, გამოქვეყნდა 1892; „პოეტი და მუზა“, 1899 და სხვ.). მის პოეზიაში მკვეთრადაა გამოხატული სიყვარული საქართვ. და ქართვ. ხალხისადმი. ა. *ისაკიანის* პოეზიაში აისახა სომხების ტრაგ. ისტ. ბედი („სიმღერები და ჭრილობები“, 1897). სომხ. პოეზია ახ. სიმაღლეზე აიყვანა ვ. ტერიანმა (კრებ. „მწუხრის ოცნებები“, 1908).

XX ს. დასაწყისში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ პოეტები — სომხ. პროლეტ. ლიტ-რის ფუძემდებელი ა. აკოფიანი და შ. კურღინიანი (1876—1927), პროზაიკოსები — მ. პეტროსიანი, არაზი, ა. ვარდანიანი. კომპარტიის გამოჩენილმა მოღვაწეებმა ს. *შაუმიანმა* და ს. *სპანდარიანმა* საფუძველი ჩაუყარეს მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას და ლიტ. კრიტიკას.

სომხ. საბჭ. ლიტ-რის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა იდეურ-პოლიტ. ბრძოლის ვითარებაში. 20—30-იან წლებში უკვე შეიქმნა სოციალიზმის მშენებელი გმირის სახე. ახ. ცხოვრება კარგად აისახა რევოლუციონერი პოეტის ე. ჩარენცის შემოქმედებაში (პოემები „შმაგი ბრბოები“, 1919; „ჩარენცნამე“, 1922; ლექსები „ბალადა ვლადიმერ ილიას ძეს, გლეხსა და ერთ წყვილ ჩექმაზე“, 1924; „ლენინი და ალი“, 1925). ამ პერიოდის პროზა გამოირჩევა თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით (მწერლები ს. *ზორიანი*, ა. *ბაკუნცი*, დ. *დემირჭიანი*, არაზი). ნ. ზარიანის თხზულებებში ნაჩვენებია სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება სოფლად. აღსანიშნავია დ. დემირჭიანის, ა. შირვანზადეს, ე. ჩარენცის, ვ. ვაღარაშიანისა და სხვ. დამსახურება დრამატურგიის განვითარებაში.

დიდი სამამულო ომის წლებში სომხ. ლიტ-რა ემსახურებოდა საბჭ. ხალხის გამარჯვების საქმეს. აღსანიშნავია რ. ქოჩარის, ა. ისაკიანის, ნ. ზარიანის, გ. სარიანის, ჰ. შირაზის, ომში დაღუპული პოეტის თ. ჰურიანისა და სხვ. ლირიკა; ვ. ხეჩუმიანის, დ. დემირჭიანის, ს. ზორიანის, ნ. ზარიანის, რ. ქოჩარის, გ. სევუნცის, ხ. დაშტენცის ისტ. პროზა. ომის შემდგომ პერიოდში წამყვანი ჟანრი გახდა პოეზია (გ. ემინი, ს. კაპუტიკიანი, ჰ. შირაზი, ჰ. საჰიანი, ვ. დავითიანი), აღსანიშნავია პროზაიკოსების ს. ალაჯაჯიანის, ა. ავაქიანის, ალავნის, ა. საპინიანის, ლ. ჰურუნცის, ს. ხანზადიანის, ა. სეკოიანის, ვ. ანანიანის, ს. აივაზიანის, ს. კურტიკიანისა და სხვ. შემოქმედება, ნ. ზარიანის, გ. ტერ-გრიგორიანის, ა. არაქსმანიანის დრამ. თხზულებები.

საბჭ. სომხ. ლიტ-რა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საზღვარგარეთის სომხ. კოლონიების ლიტ. ცხოვრებაზე.

საბჭ. საქართველოში გრძელდება სომხ. ლიტ. ტრადიციები. ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართვ. მწერალთა კავშირის სომხ. სექცია (პოეტები ჰ. კარაიანი, მ. ქარამიანი, გ. გრიგი, ს. ავჩიანი, ბ. სეირანიანი, ს. მანველიანი და სხვ.).

ფართოდაა გაშლილი მთარგმნელობითი მოღვაწეობა, განვითარდა ლიტმცოდნეობა (მ. აბელიანი, ი. ორბელი, ა. ტერტერიანი).


ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; ჯავახიშვილი ივ., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წგნ. 1, ტფ., 1935; Абегян М., История древнеармянской литературы, Ер., 1975; Гаиалаян О., Очерки армянской литературы XIX—XX вв., Ер., 1957; История армянской советской литературы, М., 1966; Мкрян М., Древнеармянская литература, Ер., 1978; Поэзия Армении с древнейших времен до наших дней, под ред. и с предисл. В. Брюсова, М., 1916; Сборник армянской литературы, под ред. М. Горького, П., 1916.

ა. ბარატიანი.


XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

სომხ. არქიტექტურას მდიდარი ტრადიციები აქვს. მაღალი სამშენებლო კულტურით გამოირჩევა ურარტუს სამეფოს მრავალი საერო და საკულტო ნაგებობა (ძვ. წ. IX—VI სს.). ელინიზმის ხანის შესანიშნავი ძეგლია გარნის წარმართული ტაძარი (ახ. წ. I ს.; აღდგენილია 1969—74). XX ს-ის შემოინახა გეგმით სწორკუთხა, ხის გვირგვინით დასრულებული უძველესი ხალხ. საცხოვრ. „გლხატუნი“.

ფეოდ. ურთიერთობის განვითარებასა და გაქრისტიანებას ს-ში დიდი საერო და საეკლ. აღმშენებლობა მოჰყვა: შენდება ციხე-დარბაზები, სასახლეები (დვინი, ზვართნოცი), ტაძრები და ეკლესიები. შუა საუკ. ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა: ერერუიქის ტაძარი (V ს.), ეჩმიაძინის კათედრალი (V ს.), რიფსიმესა და გაიანეს ტაძრები ეჩმიაძინშივე (VII ან IX სს.), ზვართნოცის (VII ს.), ოძუნის (VI ან VIII ს.), ტათევის (IX ს.), აღთამარის (X ს.) ტაძრები; სამონასტრო კომპლექსები — სანაინში, ახპატში (X—XI სს.), გელარდში (XIII ს.) და ა. შ. მრავალი ციხესიმაგრე, ტაძარი და სასწავლებლის შენობა აიგო კილიკიის სომეხთა სახელმწიფოშიც. სომხ. სსრ ფარგლებში მდებარეობს XIII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების საყურადღებო ნიმუშები — *ახტალის*, ქობაირის, აქორის ეკლესიები და სხვ. XIV ს. შუა ხანებიდან მონღოლ-თათართა შემოსევებისა და ს-ის თურქთა და სპარსთაგან დაპყრობის შედეგად მოხუმ. მშენებლობა თითქმის შეწყდა. აღმ. ს-ის რუსეთთან შეერთების შემდეგ ქ-ებში აგებდნენ საცხოვრ. სახლებსა და საზ. ნაგებობებს. საბჭ. ს-ის არქიტექტურა ეროვნ. ტრადიციების, საბჭ. და მსოფლიო ხუროთმოძღვრების მონაპოვართა საფუძველზე ჩამოყალიბდა. მის განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა არქიტ. ა. თამანიანის შემოქმედებამ. 1924 მან შეიმუშავა ერევნის განაშენიანების პირველი გენ. გეგმა, რ-იც საფუძვლად დაედო ს-ის დედაქალაქის ყველა მომდევნო გენ. გეგმას. მან დააგეგმარა ერევნის მნიშვნელოვანი საზ. ნაგებობანი (მთავრობის სახლი, ოპერისა და ბალეტის თეატრი, პოლიტექ. და ზოოვეტ. ინ-ტები



ჭარმარაშენის ეკლესია X—XI სს.



გელარდის (აირივანქის) მონასტერი. XIII ს.



მეფე გაგიკ I-ის სტატუა. გაგიკაშენის ეკლესიის ფასადი. ანისი. XI ს. (არ შემოინახა).



მოხატული კერამიკა. ანისი. XII ს.

და სხვ.), რ-თაც განსაზღვრეს საქალაქო ანსამბლების სახე. დიდია 1930 — 50 წწ. სომხ. არქიტ. განვითარებაში უფროსი თაობის სხვა არქიტექტორთა წვლილიც (მ. გრიგორიანი — შენობა ლენინის მოედანზე,.. მატენადარანი, სკპ ცკ შენობა; ს. საფარიანი — მთავრობის მეორე სახლი, სომხ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმი; რ. ისრაელიანი — ტრესტ „არარატის" შენობა, აკვედუკი ერევანში; პ. მარქარიანი — კიროვის მოედანი კიროვაკანში და სხვ.) 50-იანი წწ. მეორე ნახევარში დამუშავებულია ერევნის, ლენინაკანის, კიროვაკანის, სხვა ქ-ებისა და სარაიონო ცენტრების განაშენიანების ახ. გენ. გეგმები. აშენდა ბევრი ახ. შენობა: სუნდუკიანის სახ. თეატრი ერევანში (არქიტ. რ. ახვერდიანი და სხვ.); სასტუმრო „ანი" ერევანში (არქიტ. ე. სარაფიანი, ფ. დარბინიანი, ფ. აკოფიანი) კამერული მუსიკის სახლი ერევანში (არქიტ. რ. ქიურქჩიანი), რადიოფიზიკის ინ-ტი აშტარაკში (არქიტ. ს. გურზადიანი, მ. მანველიანი), სტადიონი „რაზდანი" ერევანში (არქიტ. კ. აკოფიანი, ს. ხაჩიკიანი), ერევნის მეტროპოლიტენის პირველი რიგის სადგურები (არქ. ჯ. თოროსიანი, ს. კნტელციანი და სხვ.), მრავალი მემორიალური ნაგებობა: 1915 სომხ. გენოციდის მსხვერპლთა ძეგლი ერევანში (არქიტექტორები ს. კალაშიანი, ა. თარხანიანი), 1918 წ. სარდარაპატის ბრძოლის გმირების მემორიალი ჰოქტემბერიანის რ-ნში (არქიტ. რ. ისრაელიანი და სხვ.) და ა. შ.

ს-ის ტერიტორიაზე შემონახულია ხელოვნ. უძველესი ძეგლები: კლდეზე შესრულებული გამოსახულებანი (ძვ. წ. VI ათასწლ.),წინაურარტული და ურარტული ხანის კერამიკა, კედლის მოხატულობათა ნაშთები, სხვადასხვა საიუველირო სამკაული. ელინიზმის ხანის ქანდაკება, ტერაკოტა, მოზაიკის ფრაგმენტები (გარნის აბანოს მოზაიკური იატაკი, II—III სს.). შუა საუკ. ხელოვნ. წამყვანი დარგი იყო წიგნის მხატვრობა (ყველაზე ადრინდ. ნიმუშები VI—VII სს., გვიანდ. XVI—XVII სს.). ცნობილია სომხ. მინიატიურის კილიკიის (უდიდესი წარმომადგენელი — თოროს როსლინი, XIII ს.), ვასპურაკანისა და სხვ. სკოლები. შუა საუკ. სომხ. ქანდაკების ძეგლებია — სტელები (უადრესი — IV ს.), ეკლესიათა სამკაული — სიუჟეტური რელიეფები და ჰორელიეფები (უადრესი VI—VII სს.), მრავალრიცხოვანი ხაჩქარები (სტელები ჩუქურთმით გარშემოვლებული ჯვრის გამოსახულებით, უადრესი — IX ს.). XVIII ს-ში ცნობილია მხატვარ ჰოვნათანიანთა ოჯახის ხამი თაობის შემოქმედება (ეჩმიაძინის საკათედრო ტაძრის მოხატულობა, პორტრეტული მხატვრობა). აღმ. ს-ის რუსეთთან შეერთების შემდეგ განსაკუთრებით დაწინაურდა საერო ხელოვნება, მეტადრე პორტრეტული მხატვრობა (ს. ნერსესიანი, ა. ჰოვნათანიანი). XIX ს. II ნახ. და XX ს. I ათწლეულში განვითარდა საისტ. ჟანრი (ვ. სურენიანცი), პეიზაჟი (გ. ბაშინჯაღიანი, ფ. ტერლემეზიანი, ე. თათევოსიანი), პორტრეტი (ს. აღაჯანიანი). ამ ფერმწერთა უმრავლესობა თბილისში მოღვაწეობდა. XX ს. პირველ ათწლეულში იწყებს მუშაობას მ. სარიანი, რ-იც მოსკოვში მუშაობდა. ამ პერიოდის თვალსაჩინო მოქანდაკეები იყვნენ უცხოეთში მოღვაწე ა. ტერ-მანუკიანი და ა. გიურჯიანი.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალი სომეხი მხატვარი ს-ში დასახლდა. თანამედროვე სომხ. მხატვრობის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მ. სარიანს (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი). პეიზაჟის ჟანრში იღვწოდნენ აგრეთვე ე. თათევოსიანი, ს. არაქელიანი და სხვ.; პორტრეტისაში — ს. აღაჯანიანი, თემატურ მხატვრობაში — ა. კოჯოიანი და სხვ., გრაფიკის დარგში ა. კოჯოიანი, თ. ხაჩვანქიანი, თეატრ. მხატვრობაში — გ. იაკულოვი, მ. არუთჩიანი, მ. სარიანი. დაზგური და მონუმ. ქანდაკება წარმოდგენილია ს. მერკუროვის, ა. სარქისიანის, ა. ურარტუს, ს. სტეფანიანისა და სხვ. ნაწარმოებებით. 40—50-იანი წწ. შუა ხანებში განვითარდა სიუჟეტური სურათი (ისტ. ამბები, ახ. ყოფა, შრომის სცენები), პეიზაჟი, ნატურმორტი. ამ დარგებში იღვწოდნენ: მ. აბელიანი, მ. ასლამაზიანი, ა. ბექარიანი, ე. ისაბეკიანი, ა. კალენცი (ფერწერა), გ. ხანჯიანი, ვ. აივაზიანი (გრაფიკა), რ-თა შემოქმედების ახ. აღმავლობა იწყება 50 წწ. II ნახევრიდან. საყოველთაოდაა ცნობილი მოქანდაკეების: ე. ქოჩარის (დაეით სასუნცის ძეგლი ერევანში), ნ. ნიკოღოსიანის (მ. ნალბანდიანის ძეგლი ერევანში), ს. ბალდასარიანის, ღ. ჩუბარიანის და სხვ. ნაწარმოებები.

60—70 წწ. სომხ. სახვ. ხელოვნება ხასიათდება ჟანრების, შემოქმედებითი მანერების მრავალფეროვნებით, ახ. გამომსახველობითი საშუალებების ძიებით. სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერად მუშაობდა მ. სარიანი. მხატვართა უფროს თაობას ეკუთვნიან: მ. აბელიანი, გ. გრიგორიანი, (ჯოტო), ჰ. ზარდარიანი, ხ. ესაიანი და სხვ. ნაყოფიერად იღვწოდნენ თემატური მხატვრობის, პეიზაჟის, ნატურმორტის, პორტრეტის დარგებში: გ. ხანჯიანი, რ. მურადიანი, რ. ადალიანი, ლ. ბაჟბეუქ-მელიქიანი, ა. მელქონიანი, ნ. გიულიკეხვიანი. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბოლო ათწლეულების სომხ. მხატვრობაში მინას ავეტისიანს, აკოფ აკოფიანს. ახალგაზრდა თაობის მხატვართა შორის გამოირჩევიან: მ. პეტროსიანი, ვ. გალსტიანი, გ. ელიბეკიანი, რ. ელიბეკიანი. ქანდაკების დარგში — ა. არუთინიანი, ა. ჰოვსეფიანი, ნ. ნიკოღოსიანი და სხვ.

სომხ. არქიტექტორთა კავშირი შეიქმნა 1933; სომხ. მხატვართა კავშირი — 1932.

ლიტ.: Искусство Советской Армении за 60 лет, Ер., 1980; Чубинашвили Г. Н., Разыскания по армянской архитектуре, т. 1, Тб., 1967.

XV. მუსიკა

სომხ. მუსიკას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩამოყალიბდა სომხ. მუს. ხელოვნ. ძირითადი მიმართულებანი —საგალეხო, საკულტო; ჰუსანების მუს. ხელოვნება. ქრისტიანობის მიღების შემდეგ განვითარებას იწყებს სას. მუსიკა (სომხ. ლიტურგია). VIII—IX სს. სომხებმა შექმნეს სანოტო დამწერლობის ორიგინ. სისტემა, ე. წ. ხაზები, რ-იც დღემდე გაუმიფრავია. შუა საუკუნეებში კვლავ ვითარდება სომხ. საეკლ. (ფსალმუნები, შარაკანები) და ხალხ. მუსიკა (შრომის, საწესჩვეულებო, სატრფიალო სიმღერები). XVII—XVIII სს. მიჯნაზე აღმოცენდა სომხ. აშუღური ხელოვნება (თვალსაჩინო წარმომადგენლია საიათნოვა). XIX ს-იდან იწყებს სომხ. მრავალხმიანი მუსიკის განვითარება. ასპარეზზე გამოდიან პროფესიონალი კომპოზიტორები და მუს. დასები. ინერგება კომპოზიციის ევრ. ტექნიკა. იწყება ხალხ. მუსიკის ჩაწერა და დამუშავება (ხ. ყარა-მურზა, მ. ეკმალიანი). 1868 ტ. *ჩუხაჯიანი* ქმნის პირველ სომხ. ოპერას „არშაკ II".

სომხ. მუსიკის განვითარებაში ახ. ეტაპს წარმოადგენს *კომიტასის* შემოქმედება. მან ხალხ. მუსიკის დამუშავების საფუძველზე შექმნა მრავალი საგუნდო ნაწარმოები. XX ს. დასაწყისში აღმოცენდა სომხ. სიმფ. მუსიკა (ა. სპენდიარიანი).

სომხ. საბჭ. მუსიკა ჩამოყალიბდა სომხ. ხალხ. მუსიკის, კლასიკოსთა შემოქმედებისა და რუს. და მსოფლიო მუს. ხელოვნ. საფუძველზე. 1920-იან წლებში სომხ. მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს: ა. სპენდიარიანმა, რ. მელიქიანმა, ა. ტერ-ღევონდიანმა, ა. ტიგრანიანმა, ა. მაილიანმა და სხვ. 1930-იან წლებში ასპარეზზე გამოდის სომეხ კომპოზიტორთა ახ. თაობა, რ-თაგან გამოირჩევა გამოჩენილი საბჭ. კომპოზიტორი ა. *ხაჩატურიანი*. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ კომპოზიტორები ა. სტეფანიანი, კ. ზაქარიანი, ს. ბალასანიანი და სხვ.

II მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ ათწლეულში დაწინაურდნენ კომპოზიტორები: ა. არუთინიანი, ა. ბაბაჯანიანი, ე. მირზოიანი, ლ. სარიანი (სიმფ. კამერული მუსიკა), ა. სათიანი, ა. აივაზიანი (სიმფონიები, ოპერები) და სხვ. 1960—70-იანი წლებში შეიქმნა სიმფ. ჟანრის მრავალი ნაწარმოები, აგრეთვე საოპერო და საბალეტო მუსიკა. კომპოზიტორები უფრო თამამად მიმართავენ თანამედროვე თემატიკას, ჩნდება მუს. ნაწარმოებთა სტილისტიკის განახლების, მისი გამომსახველობითი შინაარსის გამდიდრების ტენდენცია. აღიარება მოიპოვა ე. ჰოვანისიანის, ა. ტერტერიანის, ა. აჯემიანის, არისტაკესიანის (სიმფ., საოპერო და საბალეტო მუსიკა), კ. ორბელიანის, მ. მაკალიანის (საესტრადო მუსიკა) შემოქმედებამ. მუს.-საშემსრულებლო ხელოვნებაში სხვადასხვა დროს დაწინაურდნენ მომღერლები: ჰ. დანიელიანი, გ. გასპარიანი, ლ. ზაქარიანი, ზ. დოლუხანოვი, პ. ლისიციანი, შ. ტალიანი; დირიჟორები და ქორმაისტერები: ა. მელიქ-ფაშაევი, კ. სარაჯევი, მ. თავრიზიანი, ჰ. ჩქიდჟიანი, თ. ალთუნიანი და სხვ. ს-ის კომპოზიტორთა კავშირი დაარსდა 1933.

სომხ.-ქართულ მუს. ურთიერთობებს ღრმა ისტ. ფესვები აქვს. ძვ. თბილისის მუს. ფოლკლორში თავისებური სინთეზი ჰპოვა ქართულმა და სომხურმა (აგრეთვე ირან.-აზერბ.) სასიმღერო ტრადიციებმა. ამიერკავკ. ხალხთა მუს. ისტორიაში ღრმა კვალი გაავლო უნიჭიერესმა აშუღმა საიათნოვამ. XIX ს. დასასრ. და XX ს. I ათწლეულში თბილისში მოღვაწეობდა მთელი რიგი სომეხი კომპოზიტორებისა: მ. მალიანი, ხ. ყარა-მურზა, ა. ტიგრანიანი, მუსიკათმცოდნე ვ. ყორღანოვი და სხვ. მრავალმა სომეხმა მუსიკოსმა თბილისში მიიღო მუს. განათლება. თბილისის კონსერვატორიაში წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ სომეხი მუსიკოსები: ბარხუდარიანი, აგრეთვე ტერ-ღევონდიანი, ა. ტერ-სტეფანოვა, ქ. არაქელოვა და სხვ. თბილისში არაერთგზის დადგმულ და შესრულებულა სომეხ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ერევანში — ქართველ კომპოზიტორებისა. საქ. სსრ სახ. არტისტი წოდება მინიჭებული ჰქონდა ა. ხაჭატურიანს, სომხ. სსრ სახ. არტისტის პ. ამირანაშვილს.

XVI. ბალეტი

სომხ. საცეკვაო ხელოვნებას მრავ საუკუნოვანი ტრადიციები აქვს. შუა

და. უფრო ადრინდ. ხანას განეკუთვნება სომხ. ხალხ. ცეკვები (ეპიკური, საწესჩვეულებო, რიტუალური, სამხ.), ზოგიერთი მათგანი დღესაც შედის ცეკვისა და სიმღერის სახელმწ. ანსამბლისა (დაარსდა 1938) და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის (1958) რეპერტუარში.

პროფ. საბალეტო ხელოვნება განვითარდა საბჭ. წყობილების დამყარების შემდეგ. 1923 ერევანში გაიხსნა ქორეოგრაფიული სტუდია, 1926 — რიტმოპლასტიკის სტუდია. 1934-იდან არსებობს სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი. 1933 ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩამოყალიბდა საბალეტო დასი. ამ თეატრის სცენაზე დაიდგა პირველი ბალეტები — პ. ჰერტელის „ამაო სიფრთხილე" და პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა", პირველი ეროვნ. ბალეტი — ა. ხაჩატურიანის „ბედნიერება" დაიდგა 1939. სხვადასხვა დროს ერევნის ოპერისა და ბალეტის სცენაზე, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა თეატრების სცენებზე დაიდგა სომხ. ბალეტები: ა. სპენდიარიანის „ხანდუტი", ა. ხაჩატურიანის „გაიანე", „სპარტაკი", გ. ელიაზარიანის „სევანი", ე. ჰოვანისიანის „მარმარი", „მარადი კერპი", „ანტუნი", ე. არისტაკესიანის „პრომეთე", კ. ორბელიანის „უკვდაცება" და სხვ. სომეხი ბალეტმაისტერებიდან აღსანიშნავია: ი. არბატოვი, მ. მარტიროსიანი, ზ. მურადიანი. თვალსაჩინო მოცეკვავეები არიან: ე. გალსტიანი, ტ. გრიგორიანი, რ. თავრიზიანი, გ. ხანამირიანი, ლ. ვოინოვა-შიკანიანი და სხვ.

XVII. დრამატული თეატრი

სომხ. თეატრის საწყისები ცნობილია უძველესი დროიდან. ისტ. წყაროების მიხედვით თეატრ. დასები არსებობდა ს-ის სამეფო კარზე, სადაც იდგმებოდა თარგმნილი (ბერძნული) და ორიგინ. პიესები. XVII—XVIII სს. სომხ. თეატრ. დასები იყო ლვოვის, ვენეციის, ვენის, მოსკ. და სხვ. სომხ. დასახლებებში. სომხ. თეატრ. დასები გამოდიოდნენ თბილისსა და კონსტანტინოპოლშიც, განჯასა და სხვ., ევრ. და რუს. ავტორთა პიესების გარდა იდგმებოდა სომხ. ეროვნ. დრამატურგიის ნაწარმოებები (გ. სუნდუკიანი, ა. პარონიანი, ლ. შანთი, ა. შირვანზადე). ამ პერიოდის გამოჩენილი მსახიობები იყვნენ: პ. ადამიანი, ჰ. აბელიანი, გ. ჩიმიშკიანი, მ. ამრიკიანი და სხვ.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს-ში, საქართველოსა და აზერბაიჯანში შეიქმნა მუდმივი სომხ. თეატრები. 1921 ერევანში გაიხსნა სუნდუკიანის სახ. დრამ. თეატრი, სადაც მსახიობები ძირითადად გადავიდნენ თბილისიდან და ბაქოდან. იგი წამყვანი თეატრია, რომლის რეპერტუარშია სომხ., რუს. და მსოფლიო კლასიკა, საბჭ. დრამატურგია. 1968 ერევანში შეიქმნა ახ. დრამ. თეატრი. არის აგრეთვე კ. სტანისლავსკის სახ. რუს. თეატრი (1937-იდან), მოზარდ მაყურებელთა თეატრი (1929-იდან), ჯ. ჯაბარლის სახ. აზერბ. თეატრი (1929-იდან). ასევე არსებობს ა. მრავიანის სახ. თეატრი ლენინაკანში (1928), აბელიანის სახ. — კიროვაკანში (1931-იდან). 1960 ს-ში მუშაობდა 14 თეატრი. თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი არიან: რეჟისორები — ლ. ქალანთარი, ა. ბურჯალიანი, ა. გულაკიანი, ვ. აჯემიანი, რ. კაპლანიანი; მსახიობები: რ. ნერსესიანი, ვ. ვაღარშიანი, გ. ფაფაზიანი, ა. ვოსკანიანი, ო. გულაზიანი და სხვ. 1940 შეიქმნა სომხ. თეატრ. საზ-ბა.

ქართ.-სომხ. თეატრ. ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. სომხ. დრამატურგიიდან ქართ. სცენაზე განსაკუთრებული წარმატება ხვდა გ. სუნდუკიანის პიესას „პეპო", რ-იც არაერთხელ დადგმულა რევოლუციამდელ ქართ. თეატრში. უკანასკნელად იგი რუსთაველის სახ. თეატრში დაიდგა 1951 (რეჟ. დ. ალექსიძე). მარჯანიშვილის სახ. თეატრში ვ. გოძიაშვილმა დადგა პარონიანის „ძია ბაღდასარი". 1931 ერევნის წითელდროშოვანმა სახელმწ. თეატრმა დადგა კ. კალაძის „ხატიჯე" (რეჟ. ვ. აბაშიძე, მხატვარი თ. აბაკელია, კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე); ამავე თეატრში 1936—37 დაიდგა ს. შანშიაშვილის „არსენა" (რეჟ. გ. ჟურული). 1937 ლენინაკანის სახელმწ. თეატრში დაიდგა გ. ბაბაზოვის „იცკა რიჟინაშვილი (რეჟ. დ. ანთაძე, მხატვარი დ. კაკაბაძე) და სხვ. 1981—82 ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ. დრამ. თეატრში დაიდგა ა. ჭალანთარიანის „ზარი ზემოდან" (რეჟ. ნ. ტატვრიანი). გ. ჩიმიშკიანს ხშირად მიუღია მონაწილეობა ქართ. თეატრის წარმოდგენებში, ხოლო ვ. აბაშიძეს სომხ. თეატრის წარმოდგენებში. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება ქართველ და სომეხ თეატრ. მოღვაწეთა შორის.

ლიტ.: Искусство Советской Армении за 60 лет, Ер., 1980.

XVIII. კინო

პირველი სომხ. კინოსურათია — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა სომხეთი", რ-იც გადაიღეს 1924 კინოსტუდიაში „არმენფილმი" (შეიქმნა 1923). საბჭ. სომხ. კინოხელოვნ. განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა რეჟისორმა ა. ბეკ-ნაზაროვმა. 1920-იან წლებში მან გადაიღო ფილმები: „ნამუსი"; „ზარე", „ხასპუში" და სხვ., 1935— პირველი სომხ. ხმოვანი ფილმი „პეპო". 30-იან წლებში ისტ.-რევ. თემაზე გადაიღეს ფილმები: „კარო" (1937, რეჟ. ა. აი-არტიანი), „ზანგეზური" (1938, რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი), „მთის მარში" (1939, რეჟ. ს. კევორკოვი) და სხვ. 1950-იანი წწ. II ნახევრიდან დაიწყო სომხ. კინოხელოვნ. განვითარების ახ. ეტაპი. გაიზარდა ფილმების წარმოება. 1960—70-იანი წწ. საუკეთესო ფილმებია: კინოტრილოგია კამოზე — „პირადად ცნობილი", „განსაკუთრებული დაკალება", „კამოს ბოლო გმირობა" (რეჟ. ს. კევორკოვი და ე. კარამიანი), „გამარჯობა, ეს მე ვარ" (რეჟ. ფ. დოვლათიანი), „სამკუთხედი" (რეჟ. ე. მალიანი), „ძმები საროიანები" (რეჟ. ფ. დოვლათიანი), „ჩვენ და ჩვენი მთები" (რეჟ. გ. მალიანი), „ოცნების ვარსკვლავი" (რეჟ. ე. კეოსაიანი), „იცოცხლეთ დიდხანს" (რეჟ. ფ. დოვლათიანი) და სხვ. დოკუმენტური ფილმებიდან აღსანიშნავია; „შვიდი სიმღერა სომხეთზე", „თქმულება დიდ სიმართლეზე" და სხვ. კინემატოგრაფისტთა კავშირი შეიქმნა 1956.

დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ სომეხ და ქართველ კინემატოგრაფისტებს. ჯერ კიდევ 1924 თბილისიდან ერევანში მიიწვიეს რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი, რ-მაც გადაიღო სომხ. მხატვრული ფილმი „ნამუსი". ფილმის მხატვრები იყვნენ ვ. სიდამონ-ერისთავი და მ. სურგუნოვი. ფილმში მონაწილეობდნენ ქართვ. მსახიობები: ზ. ბერიშვილი, ა. ყორჟოლიანი, ე. ბილანიშვილი, მ. ქავთარაძე და სხვ. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თავიანთ ფილმებში მონაწილეობის მისაღებად სომეხი კინემატოგრაფისტები იწვევენ ქართვ. მსახიობს. სომხ. მხატვრულ ფილმებში „არევიკი" და „იმედის ვარსკვლავი" მთავარი როლების საუკეთესო შესრულებისათვის სომხ. სსრ სახ. არტისტის წოდება მიენიჭათ ს. ჭიაურელს, კ. დაუშვილსა და ე. მაღალაშვილს.

კ. ბუდაეერდიანი.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 464. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—IV, გვ. 624—625.

სომხეთის ტაძარი, აღმოსავლეთი ტავრი, მთები თურქეთში, ანატოლიის ზეგნისა და სომხ. მთიანეთის სამხრ. კიდის გასწვრივ. სიგრძე 600 *კმ*-ზე მეტი, სიმაღლე 3090 *მ*-მდე. შედგება აპირის, ენგიზექის, მალათიის, ერგანის, ნურპაკის, პაჩრეშის ქედებისაგან. აგებულია მეტამორფული, ამონთხეული და დანალექი ქანებით. დანაწევრებულია ჯეიჰანის, ევფრატისა და ტიგრის გამჭოლი ხეობებით: ს.-ის ჩრდ. კალთების ქვედა სარტყელში გავრცელებულია ნახევარუდაბნო, უფრო ზევით — სტეპი. სამხრ. კალთები შემოსილია მაკვისის ტიპის რაყებით, ზევით მუხის პარკული ტყე, ფსტისა და ღვიის ნათელი ტყეები, მთის სტეპი და ალპ. მდელოებია. ბითლისისა და ფაზარჯიქის გასასვლელებში გაყვანილია სარკინიგზო და საავტ. გზები.



ხაჩქარი (ა.წ.ქვა—ჯვარი") გოშავანქიდან. ოსტატი პოღოსი. 1237.

სომხეთ-ოსმალეთის ომი 1920, ომი ოსმალეთსა და დაშნაკურ სომხეთს შორის. 29 სექტ. ოსმალებმა დაიკავეს სარიყამიში, შემდეგ არდაჰანი, 30 ოქტ. — ყარსი. საბჭ. მთავრობამ, შეშფოთებულმა სომეხი ხალხის ბედ-იღბალით, აგრეთვე აზერბ. და საქართვ. უსაფრთხოების მიზნით, თხოვნით მიმართა სომხ. და ოსმ. მთავრობებს შეეწყვიტათ ომი, მაგრამ უშედეგოდ. საქართვ. მენშევიკურმა მთავრობამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. 7 ნოემბ. ოსმ. ჯარმა დაიკავა ალექსანდროპოლი (ახლანდ. ლენინაკანი). 1921 წ. 16 მარტს ოსმალეთსა და საბჭ. რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რ-ის ძალითაც ოსმალეთს დარჩა ყარსის ოლქი და ზოგიერთი სხვა რ-ნი. 1921 წ. 13 ოქტ. ოსმალეთსა და ამიერკავკ. რესპუბლიკებს შორის ყარსში დაიდო ერთიანი სამშვიდობო ხელშეკრულება.

სომხითი, 1. სომხეთის (არმენია) აღმნიშვნელი სახელწოდება ქართულ ისტორიულ წყაროებში.

2. შუა საუკუნეების სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოების (ისტ. *გაჩიანისა* და *გარდაბნის* ტერიტ.) სახელწოდება. ისტ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XI ს-ში, როცა საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას — ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს — თანდათან (IX ს. დასასრ.— XI ს. შუა წლები) დაეუფლა სომხეთის სახელმწიფო (*ანისის სამეფო*) და სახელწ. „ს." ამ ტერიტორიაზედაც გავრცელდა. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) საკუთრივ სომხეთისაგან განსხვავებით ამ ტერიტორიას „ქართლის სომხითს" უწოდებს; იგი 2 ნაწილად იყოფოდა: „ქუემო კერძო, ქუეყანა სომხითისა", რ-იც გაგის პროვინციას (იგივე ძვ. გარდაბანი) მოიცავდა, და (ვარაუდით) „ზემო კერძოი ქუეყანა სომხითისა", რ-იც გაჩიანის პროვინციას მოიცავდა; საზღვარი გადიოდა ქურდვაჭრისხევზე (იგივე მდ. დებედა).

3. გვიანდ. შუა საუკ. ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება; მოიცავდა ტერიტორიას მდ. დებედის ქვემო დინებიდან (აღმ-ით) ფოლადაურის ხეობითურთ და მდ. ხრამის ქვემო დინებიდან (ჩრდ-იდან) ლელვაჭარ-ლოქის მთებამდე (სამხრ-ით). „ს-ის" ცნების ასეთი დავიწროება თანდათან ხდებოდა და დაკავშირებული იყო ქვემო ქართლის პოლიტ. ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან: სათავადოების წარმოქმნა (საბარათიანო, საორბელო და სხვ.), თურქმანული ტომების მოძალება სამხრ-იდან და ლორეს დაპყრობა, მომთაბარე *ელის* ჩამოსახლება ქვემო ქართლისა და ძვ. გარდაბნის ველებზე და სხვ.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979; მუსხელიშვილი დ., ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1960, ტ. 1.

დ. მუსხელიშვილი.

სომხითის ძეძი, იხ. *ლოქის ქედი.*

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, იხ. *სომხური სამოციქულო ეკლესია.*

სომხური ათარა, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში, კოდორის ქედის სამხრ. ბორცვიან მთისწინეთზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს. ა., ალაფახვარა, დეპეგინძე, ნაა, ოტორონჯია, ფსკალი). ზ. დ. 230 *მ*, ოჩამჩირიდან 45 *კმ*, დაბიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. კამოს სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). სამ. სკოლა, კლუბი, საავადმყოფო.

სომხური ანუხვა, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (ანუხვის სოფსაბჭო), აფხ. მთისწინეთზე. ზ. დ. 150 *მ*, გუდაუთიდან 22 *კმ*). (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. ანუხვის ოქტ. რევ. სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი.

სომხური დაბეჭდვა, დამწერლობის ორიგინალური სისტემა, რ-იც შექმნილია ფონეტიკურ პრინციპზე. იწერება მარცხნიდან მარჯვნივ. სომხური ანბანი 36 გრაფემისაგან შედგებოდა, მოგვიანებით (XII ს.) დაემატა 3 გრაფემა (L, O, ֆ). ს. დ-ის ანბანური სისტემა რიცხვების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. განვითარების ხანგრძლივი გზის მიუხედავად, ს. დ-ს უძველესი დროიდან დღემდე სახე არსებითად არ შეუცვლია. მისი ძირითადი სახეობებია ერკათაგირი (ასომთავრული) და ბოლორგირი (ნუსხური). ცნობილია აგრეთვე მათ შორის გარდამავალი ტიპები. გვიანდ. შუა საუკუნეებში გავრცელდა ბოლორგირის ნაირსახეობანი: ნოტრგირი (მდივან-მწიგნობრული) და შლაგირი (გაკრული). საუკუნეების მანძილზე ს. დ-მ შექმნა დაქარაგმების, ლიგატურების, კრიპტოგრამებისა და სიმბოლიკის უმდიდრესი სისტემა. ს. დ-ის გენეზისისა და დათარიღების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. სომხ. საისტ. წყაროების ერთი ჯგუფის მიხედვით, იგი V ს. დასაწყისში შექმნა სომეხმა ბერმა მაშტოცმა (მესროპმა). მეორე ჯგუფის წყაროთა ცნობით, მან უკვე არსებული ანბანი მხოლოდ შეავსო გარკვეული გრაფემებით. არმენოლოგთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულებით V ს-მდე სომხ. ეროვნ. დამწერლობა არ არსებობდა და მისი შექმნა მთლიანად მაშტოცის დამსახურებაა. ზოგი სპეციალისტი, მართალია, ჩვენთვის ცნობილ დამწერლობის სისტემას მაშტოცს მიაწერს, მაგრამ წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით ვარაუდობს, რომ მანამდეც არსებობდა ს. დ., რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობს აგრეთვე მეცნ. ჰიპოთეზა, რ-იც მაშტოცის სახელით ცნობილ ანბანს წინაქრისტ. ხანის პროდუქტად მიიჩნევს.

საერთო აზრი არ არსებობს არც ს. დ-ის წარმომავლობის საკითხში. უმთავრესი არგუმენტირებული შეხედულებებით მას საფუძვლად დაედო: 1) არამეული დამწერლობის რომელიმე განშტოება; 2) ბერძნ. დამწერლობა; 3) ეთიოპ. დამწერლობა. ყველა შემთხვევაში სპეციალისტები ხაზს უსვამენ ბერძნ. ანბანური სისტემის გავლენას. ს. დ-ის ძეგლებმა ჩვენამდე, შესაძლოა, მოაღწიეს V ს-იდან, თარიღიანი წარწერები კი დადასტურებულია VII ს-იდან.

ლიტ.: პატარიძე რ., ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები, მის წგნ.: ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 528—584; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგნ. 3, ნაკვ. 1— ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949; Периханян А. Г., К вопросу о происхождении армянской письменности, «Переднеазиатский сборник», [т.] 2, М., 1966; Աբրահամյան Ա. Գ., Հայոց գիր և գրչություն, Ե., 1973; Ա ճ ա ռ յ ա ն Հ., Հայոց գրերը, Ե., 1968.

ზ. ალექსიძე.

სომხური ენა, სომხეთის სსრ სახელმწიფო ენა. განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ს. ე-ზე ძირითადად ლაპარაკობენ სომხ. სსრ-ში (2 მლნ-მდე კაცი), აგრეთვე სსრკ ზოგიერთ რესპუბლიკაში, ახლო აღმ-ში, ევრ. ქვეყნებსა და ამერიკაში მოსახლე სომხები. ზოგიერთი ნიშნით (ფონეტ., ნაწილობრივ მორფოლ., ავრეთვე ლექსიკით) ახლოს დგას კავკ. ენებთან. გამოიყოფა ს. ე-ის განვითარების 3 საფეხური: ძველი (V—XI სს.), საშ. (XI—XVI სს.), ახალი (XVII -იდან). ძვ. ს. ე. (გრაბარი) უპირატესად ფლექსიური ენაა, რ-საც აქვს განვითარებული გრამატ. წყობა, სიტყვაწარმოება და მდიდარი ლექსიკა. საშ. ს. ე. ძირითადად კილიკიის სომხ. დიალექტის ბაზაზე შემუშავდა; წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ფლექსიურობიდან აგლუტინაციისაკენ. ახ. სალიტ. ს. ე. (აშხარაბარი) 2 განშტოებითაა წარმოდგენილი: აღმოსავლური (იცქ ჯგუფის დიალექტების ბაზაზე) და დასავლური (կ ჯგუფის დიალექტების ბაზაზე). აღმოსავლურ სალიტ. ს. ე-ს საფუძვლად არარატის სომხ. დიალექტი უდევს, იგი საბჭ. სომხ. ეროვნ. ენაა. ბრუნების სისტემაში შეინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია. ულლების სისტემა წარმოდგენილია 15 მწკრივით და მდიდარია ზმნური კატეგორიებით. ჭარბობს ანალიტიკური წარმოება (მიმღეობითა და დამხმარე ზმნით), სინტაქსისათვის დამახასიათებელია წინადადების წევრთა თავისუფალი წყობა, საზღვრულის პოსტპოზიცია, დამხმარე ზმნის მოძრავი ბუნება ზმნურ ფორმებში. დასავლური სალიტ. ს. ე. გავრცელებულია უცხოეთში მცხოვრებ სომეხთა შორის, აღმოსავლური ს. ე-გან განსხვავდება ზოგიერთი არსებითი ნიშნით, რ-თაგან უმთავრესია აწმყოსა და უწყვეტლის կ ნაწილაკით წარმოება. ეროვნ. ენის ფუნქციას ვერ ასრულებს. ს. ე. მდიდარია დიალექტებით (დაახლ. 60).

ლიტ.: Աբեղյան Մ., Հայոց լեզվի տեսություն, Ե., 1965; Աղայան Է., Ժամանակակից հայոց լեզվի հոլովումը և խոնարհումը, Ե., 1967; Ա ճ ա ռ յ ա ն Հ., Հայոց լեզվի պատմություն, մ. 1—2, Ե., 1940—51; Ջահուկյան Գ., Հայոց լեզվի կարգաբանումն ու կառուցվածքը, Ե., 1969; Սահակ Գ., Ժամանակակից հայոց լեզվի դասընթաց, Ե., 1955; შილაკაძე ი., ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975; მახეჭე, ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1971; Кусикьян И. К., Очерки исторического синтаксиса литературного армянского языка, М., 1959; Тумаkян Э. Г., Древнеармянский язык, М., 1971; Шанидзе А. Г., Два чаноминградьских суффикса в грузинском и армянском языках, მის წგნ.: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957 (თხზ., ტ. 1); Jensen H., Altarmenische Grammatik, Hdlb., 1959.

მ. რობაქიძე.

სომხური სამოციქულო ეკლესია, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია მსოფლიოში. იწოდება სამოციქულოდ, ვინაიდან, ტრადიციის თანახმად, სომხეთში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ თადეოზ და ბართლომე მოციქულები. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლეგენდებს, სომხეთში ქრისტიანთა არსებობის შესახებ პირველი ცნობა (დაახლ. 274) დასტურდება ათანასე ალექსანდრიელთან. სახელმწ. სარწმუნოებად ქრისტიანობა სომხეთში გამოცხადდა IV ს. დასაწყისში (უკეთ არგუმენტირებული შეხედულებებით 301 ან 315), *თრდატ III-ის* დროს, *გრიგოლ განმანათლებლის* ღვაწლის შედეგად. გრიგოლივე გახდა სომხ. პირველი ეპისკოპოსი (კაპადოკიის კესარეის ეპისკოპოსის ლეონტიოსის ხელდასხმით). ერთხანს საეპისკოპოსო ხარისხი გრიგოლის საგვარეულოში მემკვიდრეობით გადადიოდა. IV—V სს. მიჯნაზე ბიზანტ. და ირანის ცდით ორად გაყოფილ სომხეთში ადგილ. საერო ხელისუფლება მოიშალა და ამიერიდან ერთიანი სომხ. სიმბოლო გახდა ს. ს. ე., რ-საც სათავეში დაასხ. ამავე ხანებში ჩაუდგა ავტოკეფალური ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი, რ-ის რეზიდენციაც ხან *ვაღარშაპატში* იყო, ხან — *დვინში*. სომხ. ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ პირველ 3 მსოფლიო საეკლ. კრებაში და ცნობდნენ მათ განსაზღვრებებს. რთული საშინაო და საგარეო პოლიტ. ვითარების გამო ისინი ვერ დაესწრნენ ქალკედონის IV მსოფლიო საეკლ. კრებას (451) და მთელი V ს. II ნახ. მანძილზე მონაწილეობა არ მიუღიათ დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის გამართულ პოლემიკაში. დვინის 506 საერთოკავკ. კრებაზე ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებთან ერთად სომხ. ეკლესიამ მიიღო ზენონის ჰენოტიკონი და გადაჭრით დაგმო ნესტორიანელობა. ამის შემდეგ სომხ. ეკლესიამ იწყო გადახრა მონოფიზიტობისაკენ, რ-ის მემარცხენე ფრთა (ივლიანიტობა) თავის ოფიც. სარწმუნოებად გამოაცხადა დვინის II ადგილ. კრებაზე (551—554). ამიერიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პერიოდებს 631—726 შორის, სომხ. ეკლესიას მონოფიზიტობიდან აღარ გადაუხვევია, მიუხედავად მართლმადიდებლური ეკლესიების არაერთგზის ცდისა შეერთებინათ იგი.

შუა საუკ. მანძილზე რთული საერთაშ. პირობებისა და ეროვნ. დამოუკიდებლობის უქონლობის გამო სომეხთა საპატრიარქო საყდარი სხვადასხვა ქალაქში ინაცვლებდა, რ-ებიც შემდეგ საკათალიკოსო ან საპატრიარქო რეზიდენციებად რჩებოდნენ. XII—XV სს-ში მთელს აღმ-ში ჩამოყალიბდა 3 სომხ. საკათალიკოსო (*ეჩმიაძინის, აღთამარისა* და სისის)

სომხური დამწერლობა.

სომხური ანბანი

მთავრული	ნუსხური	ქართული შესატყვისი
Ա	ա	ა
Բ	բ	ბ
Գ	գ	გ
Դ	դ	დ
Ե	ե	ჱ/ე
Զ	զ	ზ
Է	է	ე
Ը	ը	ჲ
Թ	թ	თ
Ժ	ժ	ჟ
Ի	ի	ი
Լ	լ	ლ
Խ	խ	ხ
Ծ	ծ	ნ
Կ	կ	კ
Հ	հ	ჰ
Ձ	ձ	ძ
Ղ	ղ	ღ
Ճ	ճ	ჭ
Մ	մ	მ
Յ	յ	ჯ
Ն	ն	ნ
Շ	շ	შ
Ո	ո	ო
Չ	չ	ჩ
Պ	պ	პ
Ջ	ջ	ჯ
Ռ	ռ	რ (მაკარი)
Ս	ս	ს
Վ	վ	ვ
Տ	տ	ტ
Ր	ր	რ (რბილი)
Ց	ց	ც
Ու	ու	უ
Փ	փ	ფ
Ք	ք	ქ
ԵՒ	և	ჱვ
Օ	օ	ო
Ֆ	ֆ	ფ

და 2 საპატრიარქო (იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის). ამჟამად ს. ს. ე-ის სათავეში დგას უზენაესი პატრიარქი და სრულიად სომეხთა კათალიკოსი ეჩმიაძინისა, რ-იც სხვა იერარქების მიმართ მხოლოდ პატივის უპირატესობით სარგებლობს. იურისდიქციულად მას მხოლოდ თავისი სამწყსო ემორჩილება სსრკ ტერიტორიაზე. ეჩმიაძინშია სას. სასწავლებელი. გამოსცემენ ყოველთვიურ ჟურნალს. აღთამარის საკათალიკოსო 1915 გაუქმდა, ხოლო სისისა 1965-იდან გადავიდა ანტილიაში (ლიბანი). მის სამწყსოში შედიან ლიბანის, სირიისა და კვიპროსის სომხები (125 000 კაცი). განაგრძობს არსებობას იერუსალიმისა (6 400 კაცი) და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები (60 000 კაცი), რ-თაც 1928 გამოეყო ბულგ. აეტონ. საარქიეპისკოპოსო (25 000 კაცი).

ს. ს. ე-ის დოგმატიკა ზომიერად მონოფიზიტურია, იგი ცნობს მხოლოდ პირველი 3 მსოფლიო საეკლ. კრების განსაზღვრებებს და აღიარებს ქრისტეში განხორციელების შემდეგ ერთ, ღვთაებრივ, ბუნებას. დოგმატის შესაბამისია მისი საწესო პრაქტიკაც: ზიარების საიდუმლოს იგი აღასრულებს უცომო პურითა და წყალშეურეველი ღვინით, ქრისტეს შობასა და ნათლისღებას ერთად დღესასწაულობს.

ლიტ.: Орманиан М., Армянская церковь, пер. с франц., М., 1913; Ալիշան Ղ., Հայոց եկեղեցւոյ պատմութիւն, Վաղ., 1908; Mécérian J., Histoire et institutions de l'église arménienne, Beyrouth, 1965. *ზ. ალექსიძე.*

სომხური ხეობა, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (ანუხვის სოფსაბჭო), აფხ. ბორცვიან ზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 50 *მ*, გუდაუთიდან 16 *კმ*, ახალი ათონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. ახალი ათონის მეცნიერუსეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა დაბა ახალ ათონში (1,5 *კმ*).

სონა (Saône), მდინარე საფრანგეთის აღმ. ნაწილში, რონის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 482 *კმ*, აუზის ფართ. დაახლ. 30 ათ. *კმ²* (აუზის ნაწილი შვეიც. ტერიტორიაზეა). სათავე აქვს ლოთარინგიის პლატოს სამხრ. ნაწილში. მიედინება სონა—რონის მთათაშორის ქვაბულში. საზრდოობს წვიმის წყლით. წყალუხვია ნოემბრიდან აპრ. ჩათვლით. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან ახლოს დაახლ. 400 $მ^3/წმ$. სანაოსნოა თითქმის მთელ სიგრძეზე. ს. არხებით უკავშირდება მდ-ებს მოზელს, ლუარას, მარნას, სენას, რაინს. შესართავთან არის ქ. ლიონი.

სონანტი, 1. იგიგუა, რაც სონორი თანხმოვანი; 2. იგიგუა, რაც მარცვლოვანი ბგერა, რ-იც ზოგ პოზიციაში მარცვალს წარმოქმნის, ზოგში კი არა და ამით უპირისპირდება ხმოვანს, რ-იც ყოველთვის წარმოქმნის მარცვალს, და თანხმოვანს, რ-იც არასდროს არ წარმოქმნის მარცვალს.

სონანტებიან ენებში ეს ბგერები (ქართული ვ, რ, ლ, მ, ნ სონორთა მსგავსები, ოღონდ მარცვლოვანნი), ჩვეულებრივ, ხმოვნის მეზობლად მარცვალს არ ქმნის, სხვაგან კი ქმნის. *ზ. ჯაფარიძე.*

სონატა (იტალ. sonata <sonare — ჟღერა), კამერულ-საკრავიერი მუსიკის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი. ს. ჩვეულებრივ სამნაწილიანი ციკლური ნაწარმოებია. შედგება ჩქარი განაპირა ნაწილებისა და ნელი შუა ნაწილისაგან; ზოგჯერ ციკლში შეტანილია მენუეტი ან სკერცო. ტერმ. „ს.“ ცნობილია XVI ს-იდან. თავდაპირველად იგი ეწოდებოდა ნებისმიერ საკრავიერ პიესას. XVII ს. დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა ს-ის 2 ტიპი: საეკლ. (sonata da chiesa) და კამერული (sonata da camera). საეკლ. ს-თვის დამახასიათებელია 4-ნაწილიანი ციკლი, რ-ის თითოეული ნაწილი ტემპის განსაზღვრული თანამიმდევრობით ხასიათდება (ნელი-ჩქარი—ნელი-ჩქარი ან ჩქარი-ნელი—ჩქარი-ჩქარი). კამერული ს. საეკვაო ნომრების თავისუფალი თანამიმდევრობაა. ზღვარი ს-ის ამ სახეთა შორის მალე წაიშალა. XVII ს-ში გავრცელდა ტრიო- ს-ები 2 ან 3 შემსრულებლისათვის გენერალ-ბასის თანხლებით.

დიდი ადგილი დაიჭირა ს-ის ჟანრმა ე. წ. იტალ. სავიოლინო სკოლის კომპოზიტორების შემოქმედებაში. მან განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ლ. ბეთჰოვენის შემოქმედებაში (32 საფორტეპიანო ს., 10 ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 5 ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის).

რომანტიკოსმა კომპოზიტორებმა კლასიკური ს-ის ჟანრი გაამდიდრეს და ახლებურად გაიაზრეს. დიდი წვლილი შეიტანეს ს-ის განვითარებაში ფ. შუბერტმა, ფ. შოპენმა, რ. შუმანმა, ფ. ლისტმა, ი. ბრამსმა და სხვ. მათ ს-ებში გაძლიერდა ტენდენცია ჟანრის ფართო სიმფ. გაგებისაკენ.

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში თავი იჩინა ახ. ტენდენციებმა ფრანგი კომპოზიტორების — გ. ფორეს, პ. დიუკას, მ. რაველის, კ. დებიუსის, რუსი კომპოზიტორების — ა. სკრიაბინის, ნ. მეტნერის ს-ებში. XX ს-ში ს. რჩება ერთ-ერთ წამყვან მუს. ჟანრად. თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშებია ს. პროკოფიევის (10 საფორტეპიანო, 2 სავიოლინო), დ. შოსტაკოვიჩის (2 საფორტეპიანო, 2 სავიოლინო, სავიოლონჩელო ს.), პ. ჰინდემითის (30-მდე ს., თითქმის ყველა საკრავისათვის), ბ. ბარტოკის (6 ს. სხვადასხვა შემადგენლობისათვის) ს-ები.

თანამედროვე მუსიკაში, ისე როგორც შორეულ წარსულში, ტერმ. „ს.“ ზოგჯერ იხმარება საკრავიერი პიესის აღსანიშნავად (ქ. პენდერეცკის ს. ჩელოსა და ორკესტრისათვის).

სონატინა [იტალ. sonatina (კნინ.) <sonata — სონატა], მცირე ზომის სონატა. სონატისაგან განსხვავებით ს-ს ახასიათებს მარტივი შინაარსი, მცირე მასშტაბები, შესრულების უბრალოება.

სონატური ფორმა, საკრავიერი მუსიკის ყველაზე გავრცელებული ფორმა (არაციკლურ ფორმებს შორის). კლასიკურად სრულქმნილი სახით ჩამოყალიბდა XVIII ს. დასასრ. ი. ჰაიდნის, ვ. მოცარტისა და ლ. ბეთჰოვენის შემოქმედებაში. ს. ფ. შედგება 3 დიდი მონაკვეთისაგან: ექსპოზიცია, დამუშავება და რეპრიზა. ექსპოზიცია შეიცავს 4 პარტიას — მთავარს, დამაკავშირებელს, დამხმარესა და დასკვნითს, მთავარ პარტიაში გადმოცემულია პირველი თემა ძირითად ტონალობაში. დამაკავშირებელი პარტია ამზადებს მეორე, დამხმარე პარტიის თემას, რ-იც მოცემულია დომინანტურ ან პარალელურ ტონალობაში. დასკვნითი პარტია ახ. თემაა დამაბოლოებელი ხასიათისა. ს. ფ-ის მეორე მონაკვეთია დამუშავება, რ-შიც ინტენსიურად ვითარდება ექსპოზიციის თემატური მასალა, ერთმანეთს ცვლის სხვადასხვა ტონალობა. მესამე მონაკვეთში — რეპრიზაში (იტალ. — გამეორება) ხელახლა გაიელის ექსპოზიციის მასალა, მაგრამ მთავარი და დამხმარე პარტიები ერთ (მთავარ) ტონალობაშია. ს. ფ-ში ხშირად გვხვდება 2 დამხმარე მონაკვეთი: შესავალი და კოდა (დასასრული). ს. ფ-ის ეს ნორმატიული გეგმა ისტ. ევოლუციის პროცესში იცვლებოდა, მაგრამ მის ძირითად ნიშნებად მაინც დარჩა 3 დიდი მონაკვეთი და 2 ან მეტი თემის დაპირისპირების პრინციპი.

სონგაი, სონგოი, მდ. ნიგერის ნაპირზე (ნიგერის რესპ., მალი, ზემო ვოლტა, ნიგერია, ბენინი), მცხ. ხალხი. საერთო რაოდ. 1,8 მლნ. კაცი (1978, შეფასება). ლაპარაკობენ სონგაი ენაზე. რელიგიით სუნიტი მუსლიმანები არიან. შუა საუკუნეებში შექმნეს სახელმწიფო სონგაი, რ-იც განსაკუთრებით გაძლიერდა XV—XVI სს-ში, მისდევენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, თევზჭერას, ქ-ებში — ხელოსნობასა და ვაჭრობას.

სონგაი, იმპერია გაო, შუა საუკუნეების სახელმწიფო დას. აფრიკაში. მის ეთნ. ბირთვს შეადგენდა სონგაის ხალხი. დაარსების თარიღი დადგენილი არ არის. ცნობილია, რომ IX ს. ბოლოს (სხვა მონაცემებით XI ს-ში) ს-ს დედაქალაქი იყო ქ. გაო. XV—XVI სს-ში ს. ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო დას. აფრიკაში. მას ეკავა ტერიტ. დას.-ით მდ. სენეგალის ზემოთიდან აღმ-ით — აირის პლატომდე, სამხრ-ით ქ. ბუ:ის ჭორომებიდან ჩრდ-ით — ცენტრ. საპარამდე. ს-მ ძლიერებას მიაღწია სონი ალის (1464—92) და მამადუ ტურეს (1493—1528) გამგებლობის დროს. ს-ში მნიშვნელოვნად განვითარდა ფეოდ. ურთიერთობა. დიდ შემოსავალს იძლეოდა ოქროთი, სპილოს ძვლითა და მონებით ვაჭრობა. ქ-ები გაო, ტომბუქტუ, ჯენე მსხვილ ვაჭრობა-ხელოსნობის და კულტ. ცენტრებს წარმოადგენდნენ. 1591 ს-ს თავს დაესხა მაროკოს სულთანი აჰმად ალ-მანსური (განაგებდა 1578—1603). XVII ს. დასაწყისში ს-მ არსებობა შეწყვიტა.



რ. ბ. სონგაილა.

სონგაი ენა, ნილოს-საჰარის ენათა ოჯახის დამოუკიდებელი შტო. გავრცელებულია მდ. ნიგერის შიდა დელტის რ-ნებში. ს. ე-ზე მოლაპარაკეთა რაოდენობა 1,2 მლნ-მდე კაცს შეადგენდა (1970, შეფასება). ს. ე-თვის დამახასიათებელია აგლუტინაციურ-სუფიქსური სიტყვების არსებობა და ფორმათწარმოქმნა. სიტყვათა რიგი: სუბიექტი—ობიექტი—პრედიკატი. ლექსიკაში ბევრია არაბიზმი და ნასესხობანი მანდე ენიდან.

ლიტ.: Prost A., La langue sonay et ses dialectes, Dakar, 1956.

სონგაილა რინცაუდას ბრონისლოვას იგნას ძე (დ. 20. IV. 1929, ქ. კლაიპედა), საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ლიტვ. სსრ სოფ. მეურნ. დამს. მუშაკი (1979). სკკპ წევრი 1953-იდან. დაამთავრა ლიტვ. სავეტ. აკადემია (1955). 1956—57 ლიტვ. კპ ცკ-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორი, 1957—60 ლიტვ. სსრ მინისტრთა საბჭოს სოფ. მეურნ. განყ-ბის გამგე. 1960—61 ლიტვ. სსრ სოფ. მეურნ. მინისტრის მოადგილე. 1961—62 ლიტვ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე. 1962 — 81 ლიტვ. კპ ცკ-ის მდივანი. 1981-იდან ლიტვ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. 1961 ლიტვ. კპ ცკ-ის წევრი, 1962-იდან ლიტვ. კპ ცკ-ის ბიუროს (1962 — 66 პრეზიდიუმის) წევრი. სკკპ XXVI ყრილობაზე (1981) აირჩიეს სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრად. სსრკ X—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, აგრეთვე მედლებით. ავტორია წიგნისა და სტატიებისა სოფ. მეურნ. და პარტ. მუშაობის საკითხებზე.

სონგოლა, ქალაქი ტაილანდში, მალაკის ნ.-კ-ის აღმ. სანაპიროზე. 66 ათ. მცხ. (1979). საკაბოტაჟო ნავსადგური და სავაჭრო ცენტრი. თევზჭერა.

სონდა, სოფელი დუშეთის რ-ნში (ჭართლის სოფსაბჭო), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის მარჯვ. მხარეს, მდ. სონდისხევის ნაპირზე. ზ. დ. 1000 *მ*, დუშეთიდან 30 *კმ*. ანანურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ჭართალში (5 *კმ*).

სონდისხევლა, სოფელი დუშეთის რ-ნში (ჭნივალის სადაბო საბჭო), მდ. ხორხის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1000 *მ*, დუშეთიდან 27



ი. სონეულაშვილი.



სონეული.

კმ. ანანურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, კლუბი.

სონეტთა გვირგვინი, მყარი სალექსო ფორმა. შეიცავს 15 სონეტს. მე-15 სონეტს მაგისტრალი ეწოდება. ს. გ-ის პირველი სონეტი მაგისტრალის პირველი ტაეპით იწყება და მაგისტრალისავე მეორე ტაეპით ბოლოვდება. მე-2 სონეტის პირველი ტაეპი პირველი სონეტის უკანასკნელ ტაეპს იმეორებს და მაგისტრალის მესამე ტაეპით თავდება. ასე გრძელდება მე-14 სონეტამდე, რ-იც მაგისტრალის დამამთავრებელი ტაეპით იწყება და მისივე პირველი ტაეპით სრულდება. მე-15 ანუ მაგისტრალური სონეტი მოიცავს სხვა სონეტთა პირველ ტაეპებს.

სონეტი (იტალ. sonetto), მყარი სალექსო ფორმა. შეიცავს 14 ტაეპს და ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში 2 ოთხტაეპედია (კატრენები), მეორეში კი — 2 სამტაეპედი (ტერცეტები), ძირითადად ს-ის 3 სახედაა გავრცელებული: 1. „იტალიური" — კატრენების რითმული სქემა: abab abab ან abba abba, ტერცეტების სქემა: cdc dcd ან cde cde; 2. „ფრანგული" — კატრენების სქემა: abba abba, ტერცეტების სქემა: ccd eed ან ccd ede; 3. „ინგლისური" (შექსპირული) abab cdcd efef gg. მაგრამ ვიდრე ამ „მყარ" კომპოზ. ნიშნებს შეიძენდა, იწერებოდა 16-, 17- ან 20-ტაეპოვანი ს-ებიც. ს-ის კომპოზ. მოდელს იყენებდნენ დანტე, ფ. პეტრარკა, უ. შექსპირი, ა. შლეგელი, ა. პუშკინი, ა. მიცკევიჩი, პ. ვერლენი, ს. მალარმე, ა. რემბო, ვ. ბრიუსოვი, საქართველოში — გ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი და სხვ.

ლიტ.: მ ი ქ ა ძ ე გ., ქართული სონეტისათვის, მის წგნ.: ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974.

სონიმი, ქალაქი კორეის სდრ-ში, პუანზეპუქტოს პროვინციაში, მდ. ტედონგანის ნაპირზე, ფხენიანის სამხრ.-დას-ით. 376,4 ათ. მცხ. (1980). ქვეყნის შავი მეტალ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. ქიმ., კვების მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. ს-ის მახლობლად იღებენ რკინის მადანს.

სონინკე, ჩრდ. მალიში, აგრეთვე ზემო ვოლტის, სენეგალის, მავრიტანიისა და გამბიის მოსაზღვრე რ-ნებში მცხ. ხალხი. საერთო რაოდ. დაახლ. 890 ათ. კაცი (1978, შეფასება). ენა — სონინკე, განეკუთვნება მანდე ენათა ოჯახის ჩრდ. ჯგუფს. რელიგიით უმრავლესობა სუნიტი მუსლიმანია. ს. შეადგენდა შუა საუკ. სახელმწიფოს განას ეთნ. ბირთვს. ს-ს ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა. საშოვარზე დადიან არაქისის პლანტაციებში (სენეგალში).

სონორი თანხმოვნები, თანხმოვნები, რ-ებიც ხმოვანთა მსგავსად ყალიბდება მხოლოდ სახმო სიმებში წარმოქმნილი ბგერის გარდაქმნით ხორხის, ხახის, პირისა და ცხვირის რეზონატორებში (რის გამოც მათ რეზონანტებსაც უწოდებენ). ჩქამიერი თანხმოვნებისაგან განსხვავებით, რეზონატორებში ჰაერის ხახუნის ხმაურს (ჩქამს) მათთვის მნიშვნელობა არა აქვს და ისინი არც მყღერობა-სიყრუით განირჩევიან. ქართულში ს. ო-ია: ვ, რ, ლ, მ, ნ.

ზ. ჯაფარიძე.

სონელაშვილი იროდიონ თომას ძე (22. XII. 1880, დილომი, — 7. I. 1958, თბილისი), ქართველი საბჭ. ხელოვნებათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, მწერალი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1944). დაამთავრა ნოვოროსიის უნ-ტის (ოდესა) ფიზ.-მათ. ფაკ-ტის ბუნებისმეტყველების განყ-ბა (ტექ. ქიმიის სპეციალობით). ე. თაყაიშვილის მოწაფე და თანამებრძოლი. მთელი ცხოვრება ხელოვნ. სამსახურში გაატარა. 1909 მუშაობა დაიწყო საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბაში (იყო საზ-ბის მდივანი). 1929 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის საისტ. და საეთნოგრაფიო განყ-ბის გამგედ, 1931-იდან — ძვ. ქართ. ხელოვნ. და ისტ. განყ-ბის გამგის თანაშემწედ, 1934-იდან — ხელოვნ. მუზეუმის („მეტეხი") მცირე ხელოვნ. განყ-ბის გამგედ, 1953-იდან — საქართვ. ხელოვნ. მუზეუმის სეიფის გამგედ. მისი შრომები, რ-თა მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული, ეხება უმეტესად ქართ. მცირე და დეკორ. ხელოვნ. ნიმუშებს (ცერამიკა, ტიხრული მინანქარი), ეთნოგრაფიის საკითხებს. ს-ის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ისტ. რომანი „მირანდუხტ იადხმობილი".

ა. ჩხარტიშვილი.

სონღული (Falco gyrfalco), ფრინველი *შავარდნისნაირთა* რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 60 *სმ*, მასა დედლისა 2 *კგ*, მამლისა — 1,5 *კგ* აღწევს. ლამაზი ფრინველია, ფერად თეთრია და ნაცრისფერი ლაქები აფრია ან სულ ნაცრისფერია. გავრცელებულია ევრ. ჩრდ-ში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. ბინადრობს ტყეტუნდრასა და ზღვების კლდოვან ნაპირებზე. ქმნის მუდმივ წყვილებს. ბუდეს იკეთებს კლდეებში, ციცაბო ნაპირებსა ან მაღალ ხეებზე. დებს 3—5 კვერცხს; კრუხობს დედალი 28—29 *დღ-ღ*-ის განმავლობაში. იკვებება ფრინველებით, რ-საც ჰაერში ფრენისას იჭერს, უფრო იშვიათად — ლემინგებით, მემინდვრიებით, კურდღლებით. ძველად იყენებდნენ როგორც ძვირფას სამეფო ბაზს (სანადირო ფრინველი). ამჟამად საყოველთაოდ იშვიათი ფრინველია, საჭიროება დაცვას.

რ. ჯორდანია.

სონჩო, სოფელი დუშეთის რ-ნში (ქვედუშეთის სოფსაბჭო), მთიულეთის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 1650 *მ*, დუშეთიდან 74 *კმ*. მლეთის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ქვედუშეთში (8 *კმ*).

სონჯინი, კორეის სდრ-ის ქალაქ *კიმჩაკის* ძვ. სახელწოდება.

სოპოტი (Sopot), ქალაქი პოლონეთში, გდანსკის ყურის ნაპირზე. გდანსკსა და გდინიასთან ერთად ქმნის საქალაქო აგლომერაციას, ე. წ. ტრუიმიასტოს (სამქალაქეთი). 51 ათ. მცხ. (1982). მანქანათსამ., ტყავისა და კვების მრეწველობა. გდანსკის უნ-ტის 3 ფაკ-ტი. ზღვისპირა კლიმ. კურორტი. სამკურნ. საშუალება: აეროპელოითერაპია, ზღვაში ბანაობა (ივნ.-სექტ. დასაწყ.), ტორფითა და ტალახით მკურნალობა. სამედ. ჩვენება: სასყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლ. დაავადებანი, ანემია და სხვ. სანატორიუმები, წყალ-ტალახსამკურნალო, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები. ს-ში ტარდება საესტრადო სიმღერის საერთაშ. ფესტივალები.

სოპრანო (იტალ. soprano), 1. ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა. დიაპაზონი დო[1]—დო (რე—ფა)[3]. ს-ს აუცილებელ თვისებას წარმოადგენს კარგად განვითარებული ე. წ. მეთაური რეგისტრი. ს. ჩვეულებრივ ქალებსა და ბავშვებს აქვთ. გუნდში განსაკუთრებით კარგად ჟღერს ბიჭუნათა (ე. წ. დისკანტისტები) ს. XVI — XVIII სს-ში ფართოდ იყო გავრცელებული კასტრატი მომღერლების ხელოვნება (სხვანაირად სოპრანისტებსაც უწოდებდნენ). არსებობს ქალთა ს-ს 3 ნაირსახეობა: დრამ., ლირ. და კოლორატურული. განარჩევენ აგრეთვე ლირიკულ-დრამატულსა და ლირ.-კოლორატურულ ს-ებს.

სოჟი, მდინარე რსფსრ სმოლენსკის ოლქში, ბელორ. სსრ მოგილიოვის და გომელის ოლქებსა და ნაწილობრივ უკრ. სსრ ჩერნიგოვის ოლქის საზღვარზე, დნეპრის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 648 *კმ*, აუზის ფართ. 42,1 ათ. *კმ*[2]. სათავე აქვს სმოლენსკის მაღლობზე. მიედინება ორშა—მოგილიოვის ვაკეზე და პოლესიეში. შერეული საზრდოობის მდ. ჭარბობს თოვლი წყალი. წყლის ხარჯი ქ. გომელთან 87 *მ*[3]/*წმ*. ნოემბ.-იანვ. დასაწყისში, ყინ. მარტ-აპრილშია. ხეტყეს დაცურავ. ნაოსნობა კრიჩევიდან. ს-ის ნაქ-ები: კრიჩევი, ჩერიკოვი, სლაევგ., გომელი.

სორბენტი (<ლათ sorbens, ნა. sorbentis — შთამთქმელი), მყარ. ან სითხე, რ-საც უნარი აქვს შთაირი, ორთქლი ან გახსნილი ნივ. ბა გარემომცველი ჯარმოდან. (იშვიათად მყარ) ს-ს, რ-საც შ. აირის ან ორთქლის მთანთქმა მთ. ცულობაში, ეწოდება აბსორ. ტი, ხოლო თუ აირი, ორთქლი ან ლი ნივთიერება შთანთქმება მისი პირული შირით — ქემოსორბენტი. ს-ს კი, რ-იც შთანთქმულ ნივთიერ. ქიმ. ნაერთს წარმოქმნის—ქემოსორ. ტი. მნიშვნელოვანი მყარი სორბენტებია *მინის ყანგი, იონმიმოცვლითი ფ. გააქტიურებული ნახშირი*, სილიკაგელი, *ცეოლითები*.

სორბიტი, სორბიტოლი, ატომიანი სპირტი, $CH_2OH(CH)_4CH_2OH$. იხ. *ჰექსიტები*.

სორგიტი ლითონთმცოდნეობაში, ფოლადისა და თუჯის ერთი სტრუქტურული მდგენელი; *ტის* (*ფერიტისა* და *ცემენტიტის* ევტექტიდური ნარევის) დისპერსიული სახეობა. წარმოიქმნება *აუსტენიტის* მდე ტემპ-რაზე დაშლისას. სახელწ. ინგლ. მეცნიერის ჰ კ. სორბის (H. C. Sorby; 1826—1908) პატივსაცემად.

სორგონი, იხ. *პარიზის უნივერსიტეტი*.

სორგოზია (<ლათ. sorbeo — ვშთანთქმ.), ნივთიერებების შთანთქმა გარემოდან მყარი სხეულით ან სითხით. შთამთქმელ სხეულს ეწოდება *სორბენტი*. მიერ შთანთქმულ ნივთიერებას სორბატი. განასხვავებენ ს-ის დეგ სახეებს: *აბსორბციას*, *ადსორბციას*, *ქიმიურ შთანთქმას* და სხვ. სორბციურ. ცესებს ფართოდ იყენებენ ქიმ. ნივ. ბათა გასაწმენდად და გამოსაყოფად.

სორგციული ტუმბო, იხ. *სტ. ვაკუუმური ტუმბი*.

სორგითი, სოფელი ონის რ-ნში (პ. თის სოფსაბჭო), მდ. ჯეჯორის ხე. ზ. დ. 960 *მ*, ონიდან 8 *კმ*. პიპინ. მეცნოველეობის საბჭ. რვაწლ. სკოლა სოფ. პიპილეთში (2 *კმ*). ს. ებში პირველად მოხსენიებულია ს-ში.

სორგო (sorghu), ერთ- და მრავალ. ვანი მცენარის გვარი მარცვლო. ოჯახისა. აერთიანებს 51-მდე სახ. კულტურაშია ჩვეულებრივად ს., ს. ვანი ს., ცოცხის ს., სამრცველე ს. გარა და სხვ. ს-ს მარცვლისაგან აღ. ბენ ფქვილს, ბურღულს, სპირტს, ს. ბელას და სხვ.; შაქროვანი ს-ს ღე. გან — ბადაგს; ნამჯას იყენებენ ქალაღ. მუყაოს და სხვ. წარმოება. მარც. და მწვანე მასა ცხოველია კარგი ბია. ს-ს სამშობლოა ეკვატორული რიკა. მსოფლიოში ამჟამად ყველაზე ტად თესავენ ინდოეთში სსრკ-ში ყავთ შუა აზიაში, ყაზახეთში, ვო. პირეთში, სამხრ. უკრაინაში, მო. ვეთში. საქართველოში უფრო მ. ურწყავ მიწებზე მოდის, როგორც ვაგამძლე მცენარე.

გ ცაგურიშ.

სორდი (Sordi) ალბერტო (დ. 15. 1916), იტალიელი კინოსახიობი. შობს ძირითადად კომედიურსა და მუ. ლმებში. მონაწილეობდა ფილმებში: ვანი ეპისკოპოსის დანაშაული" (1. „უცოლო კაცი" (1956), „ყველანი ლებში" (1961), „პუმი" (1963), „ცხოვრება" (საბჭ. ეკრ.ნებზე „ლისტი რომიდან"), „კომპლექ

„იტალიელი ამერიკაში“ (1967)

ია პონზინზონზზინ აექსენტის ძე (1911, აიში, ზუ ზუ. ზზუგდიდის რ-ნი, —10. III. საბჭ. კა კ. კკაუშირის გმირი (13. XI. გვარდიდიდიდიის ლეიტენანტი (1943). წყებითი ით თით განათლება მიიღო სოფ. , მუშაობაობაოობდა კოლ-ბაში. 1941 გაიჩითელ აი აე არმიაში. იბრძოლა ბრიანკორონეჟიეჟრენეჟეისა და სხვა ფრონტებზე. ასეულიელიდით მდ. დნეპრის გადალახროს გამფამ-გაბმოჩენილი მამაცობისათვის საბჭ. კა. კჭ. კკაუშირის გმირის წოდება. დოებულულულია ლენინის ორდენით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

ᲘᲘᲣᲘᲘ (Ი (ᲘᲘ ((<ბერძნ. sōros — გროვა), ების (მ (მ ((მდიერების) ვეგეტატიური ლების ორ ოს ორგანო. შედგება წყალმცეერთი ან ან. ანნ რამდენიმე უჯრედისა და ბგვლივ შვ ნივ შემოხლართული სოკოს ჰიგან. წარწარწარმოიქმნება მღიერის გონიან შრეშიეშიეშში. ს-ები გამოდიან ზედაერცელდელიდებიან ქარის საშუალებით საფერის ისრისს პირობებში მოხვედრისას მო. ეს ლ ლ ლიქენის აბ. თალუსს.

ᲘᲘ (Sore orSorrel) შარლ (1602, პარიზი,—. 1674, 4, 74, იქვე), ფრანგი მწერალი. პრეციოზიოზულ გალანტურ რომანებს. ი გაუთქვთქვთქვა ესპ. პიკარესკული რო- სტილითითით დაწერილმა ნაწარმოებრანსიონიონნის კომიკური ამბავი“ (7 ე, 1623, 23, 23,, 1626 გადამუშავებული 11 ე, 1633 33 33 დამატებით მე-12 წიგნი), ც სათაეეიავიავე დაუდო ფრანგ. ყოფით ს. „დონ ხონხონნ კიხოტის“ მიბაძვით დარომან-მანშანნ-პაროდია „გადარეული ი“ (162162162727—28), რ-ითაც დაუპირისპრეციოზიოზიოზულ ლიტ-რას.

ᲜᲢᲝ (So (Si (Siorrento), ქალაქი იტალიაეპაპოლისუისის პროვინციაში, კამპანიის ი. ნავსაეესაესადგური სორენტოს ნ.-კ-ზე, ლის ყურურურის სამხრ. ნაპირზე. დაახლ. თ. მცხ. ცხ. ცხ.. მცირე საფეიქრო მრეწბა. თევზეეიევზჭერა, მიდამოებში — ბადა ვენახენახნახები. საზაფხულო კურორტი. ზმი. ს. ს. ს. იტალ. პოეტის ტორკვატო სამშობშოშობლოა. 1924—28 ს-ში ცხოდა მ. გო გი გორკი.

ᲘᲘ, სოფელფეელი ონის რ-ნში, მდ. რიოარჯე. მხ. მ მხარეს, ამბროლაურ — ონის გზაზე. ზეზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფ: ს., გა გ გადამში, ჭვებარი). ზ. დ. , ონიდაიდიდან 14 კმ. მეცხოველეობის მეურნეონერნეობა. საშ. სკოლა, 2 ბ-კა, სახლი (ი ი (კინოდანადგარი), მედპუნკავშირშირშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში ლად მო მ მოხსენიებულია XVIII ს-ში. ნახულია ია ია შუა საუკ. რამდენიმე ეკისა და და და ციხის ნანგრევები. სოფლის ობლად ყდ დ დგას „ჯვარცმის ეკლესია“ აუდით, თ, ი, აგებულია XV ს-ში; XVIII განაახლახლხლა რაჭის ერისთავმა შოში; ერთხანხხახხანს მონასტერი იყო. სოფლის ირას აღ ა ალმართულია წმ. გიორგის სია. ინტინტერიერში დაცულია XIV ს. ტულობა. ობაობა.. წარწერაში მოხსენიებული ნ მხატვრტვტვრები დავითი და დიაკვნის ი ივანეევანვანე. არის გვიანდ. ფენების ებიც.

თ. ით. თ. ბერაძე. ი. ლორთქიფანიძე.

ᲘᲚᲘᲐ ᲘᲐ Ი Ი ᲛᲝᲠᲐᲚᲘ (Zorrilla y Moხოსე (21 (2 (21. II. 1817, ვალიადოლიდი, I. I. 18 1 1893, მადრიდი), ესპანელი ი და დრ დ დრამატურგი. ერთ-ერთი უდი- რომანტიანტანტიკოსი; 1889 შეამკეს ეროვნ. ის გვირგვირგვინით. ეკუთვნის კრებულე- ლექსები „ებოები“ (ტ. 1—8, 1837—40), „ტრუ ერის სიმ სი სიმღერები“ (ტ. 1—3, 1840— ეპიკურკურკური პოემა „მარია“ (1849), ის ლეგენდდეგენდა“ (1882) და სხვ. მისი მები ძირ ძი ძირითადად ეროვნ. ისტ.-ლეურ სიუჟეიუჟეტებზეა აგებული. საუკეთედრამად ად დ არის მიჩნეული „დონ ხუან ორიო“ (1“ ი“ (ნაწ. 1—2, 1849).

ᲐᲛᲝᲜᲘ, ᲘᲜ, სოფელი წყალტუბოს საქო საბჭოსბჭბჭოს ტერიტორიაზე (რიონის სოფსაბჭო), მდ. რიონის ხეობაში. ზ. დ. 350 მ, წყალტუბოდან 30 კმ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეხილეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი, ფოსტა.

ᲡᲝᲠᲝᲙᲐ გრიგოლ ვასილის ძე [15 (27). XI. 1823, სოფ. პოკროვსკაია, ახლანდ. კალინინის ოლქი, — 10 (22). IV. 1864, იქვე], რუსი ფერმწერი, *ვენეციანოვის სკოლის* წარმომადგენელი. იყო ყმის შვილი. 1842—47 სწავლობდა ა. *ვენეციანოვთან*. ს-ს ნამუშევრებში (პეიზაჟები, ჟანრული სცენები, ინტერიერები, პორტრეტები) კომპოზიციების ფორმათა განზოგადება შერწყმულია პერსონაჟთა სიმშვიდესთან. ს-ს ნაწარმოებები გადმოსცემენ მთვლემარე ბუნებას, მემამულური ყოფის სიმყუდროვეს. ნახატებისათვის დამახასიათებელია შეკრული, სტატ. კომპოზიცია, ფორმათა განზოგადებული გააზრება და ამავე დროს გარესამყაროს დეტალების ზუსტი ასახვა („მეთევზეები. მოლდინოს ტბის ხედი“; „ე. ნ. მილიუკოვას პორტრეტი“ — ორივე 1840-იანი წწ., რუს. მუზეუმი, ლენინგრადი).

ᲡᲝᲠᲝᲙᲐᲑᲐ (Sorocaba), ქალაქი ბრაზილიის სამხრ.-აღმ. ნაწილში, სან-პაულუს შტატში. 247 ათ. მცხ. (გარეუბნებიანად, 1980). რკინიგზის სადგური. საფეიქრო და მეტალ. მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრი. ცემენტის, ელექტროტექ., ქიმ., კვების მრეწვ. საწარმოები. ჰესი.

ᲡᲝᲠᲝᲙᲘ, ქალაქი მოლდ. სსრ-ში, ნავმისადგომი მდ. დნესტრის ნაპირზე. რკინიგზის სადგ. ფლორეშტიდან 40 კმ. ტექნოლ. მოწყობილობის, ლითონის ნაკეთობათა, საშენ მასალათა, კარაქის, საკონსერვო, ღვინის, ლუდის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა. სოფ. მეურნ. ტექან. და ელექტრიფიკაციის საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი, პედ. და კულტ.-საგანმან. სასწავლებლები. ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ს. ქალაქია 1835-იდან. შემორჩენილია ხუროთმოძღვრული ძეგლი—გეგმით მრგვალი (დიამეტრი 30 მ, სიმაღლე 20 მ) ხუთკოშკიანი ციხესიმაგრე (1543).

ᲡᲝᲠᲝᲙᲘᲜᲘ ალექსანდრე ივანეს ძე (1848, ქ. სტავროპოლი, — 3. IV. 1928, ბაქო), რუსი სამთო ინჟინერ-გეოლოგი, კავკასიის მკვლევარი. 1872 დაამთავრა პეტერბ. სამთო ინ-ტი. 1872—1907 მუშაობდა კავკ. სამთო სამმართველოს გეოლ. განყ-ბაში, 1907—20 — ბაქოს ქალაქის მმართველობაში ინჟინრად. თვალსაჩინო წვლილი შეიტანა კავკ. და საკუთრივ საქართვ. ტერიტ. გეოლ. აგებულებისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა კვლევის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სამეცნ. შრომები, რ-ებიც ეხება კავკასიონის სამხრ. ფერდის ნაოჭა სისტემის და საქართვ. ბელტის ჩრდ. პერიფერიის გეოლ. აგებულებას.

თხზ.: Геологические наблюдения в местности между реками Ксаном и Большой Лиахвой и в верховьях р. Квирилы в 1877—1878 гг., «Материалы для геологии Кавказа», 1879, сер. I, кн. 9, в.1; 1880, кн. 10, в. 2; Тектонические катастрофы в южной половине Каспия, «Известия Об-ва обследования и изучения Азербайджана», 1928, № 7, в. 1 (ცალკე ამონაბ.).

ვ. ჯაფარიძეილი.

ᲡᲝᲠᲝᲙᲘᲜᲘ (Sorokin) პიტირიმ ალექსანდრეს ძე (21. I. 1889, ტურია, სსრკ.— 10. II. 1968, უინჩესტერი, მასაჩუსეტსის შტ., აშშ), რუსი და ამერიკელი სოციოლოგი, სოციალური მობილობისა და სოციალური სტრატიფიკაციის ბურჟ. თეორიის წარმომადგენელი. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი. იყო მემარჯვენე ესერების ლიდერი, 1917 თებ. რევ. შემდეგ ა. კერენსკის მდივანი და მთავარი რედაქტორი გაზეთისა „ვოლია ნაროდა“. 1920-იდან პეტროგრ. უნ-ტის პროფესორი, 1922-იდან ემიგრაციაშია, 1923 დასახლდა აშშ-ში, 1930 მიიღო მისი მოქალაქეობა. 1930-იდან 1964-მდე პარვარდის უნ-ტის პროფესორი, შემდეგ დამს. პროფესორი. აქ ჩამოაყალიბა სოციოლოგიის ფაკ-ტი. ს-ის შეხედულება საზ-ბაზე იდეალისტური იყო.

თხზ.: Л. Н. Толстой как философ, М., 1914; Преступление и кара, подвиг и награда, СПб., 1911; Проблема социального равенства, П., 1917; Система социологии, т. 1—2, П., 1920; Sociological theories of today, N. Y., 1966.

ლიტ.: ლ ე ბ ი ნ ი ვ. ი., მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33; მ ი ს ი ვ ე, Ценные признания Питирима Сорокина, Полн. собр. соч., 5 изд., т. 37; Г о л о с е н к о И. А., Философия истории П. Сорокина, «Новая и новейшая история», 1966, № 4.

ვ. ქვაჩახია.



პ. სორდია.

ᲡᲝᲠᲝᲚᲘᲐ, ს ო რ ო ლ ი ა ი ბ ა ს ტ ი დ ა (Sorolla y Bastida) ხოაკინ (27. II. 1863, ვალენსია, — 10. VIII. 1923, სერსედილია, ახალი კასტილია), ესპანელი ფერმწერი. ესპ. იმპრესიონიზმის წამყვანი ოსტატი. სწავლობდა ვალენსიის სან-კარლოსის ნატიფი ხელოვნ. უმაღლეს სკოლაში, აგრეთვე რომსა და პარიზში. მადრიდის სან-ფერნანდოს სამხატვრო აკად. პროფესორი (1919-იდან). ს-ს სურათები ასახავენ ვალენსიის ზღვის სანაპიროებსა და მეზღვაურთა ყოფას. ნამუშევრები: „იმასაც ამბობენ, რომ თევზი ძვირია“ (1894, თანამედროვე ხელოვნ. ესპ. მუზეუმი, მადრიდი), „ქიშმიშის დამზადება“ (1901, ა. პუშკინის სახ. სახვ. ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი) და სხვ.

ᲡᲝᲠᲝᲠᲐᲢᲘ (<ლათ. soror — და), ჩვეულება, რ-ის თანახმადაც მამაკაცი რამდენიმე ქალთან, ღვიძლ დებთან ან ბიძაშვილებთან ამყარებდა საქორწინო ურთიერთობას. პირველად აღწერა ლ. *მორგანმა*. ტერმ. „ს.“ შემოიღო ჯ. ფრეიზერმა, რ-მაც მრავალი ცნობა შეაგროვა ს-ის არსებობის შესახებ ამერ., აზიის, ოკეანიისა და აფრ. ხალხებში. მეცნიერები ს-ს ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთად მიიჩნევენ. დიდხანს იყო შემონახული კლასობრივ საზ-ბაში, როცა ქვრივი მამაკაცი თავისი გარდაცვლილი ცოლის დაზე ქორწინდებოდა.

ᲡᲝᲠᲝᲩᲘᲜᲡᲙᲘ, ქალაქი რსფსრ ორენბურგის ოლქში, მდ. სამარის (ვოლგის შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. სოროჩინსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, ორენბურგიდან 170 კმ. სას.-სამ. ნედლეულის გადასამუშ. ცენტრი. ხორც- და წისქვილ-კომბინატი, რძის, კომბინირებული საკვებისა და ბურღულის ქ-ნები. ვეტ. ტექნიკუმი.

ᲡᲝᲠᲢᲐ, ცხაკაიას რ-ნის სოფლების ზედა *სორტისა* და *ქვედა სორტის* ძვ. სახელწოდება.

ᲡᲝᲠᲢᲐᲕᲐᲚᲐ (1918-მდე ს ე რ დ ო ბ ო ლ ი), ქალაქი კარელ. ასსრ-ში. ნავმისადგომი ლადოგის ტბის ჩრდ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები, ავეჯისა და თხილამურების კომბინატი, სამკერვალო გაერთიანება, თევზის, რძის ქ-ნები, ხორცკომბინატი. საბჭ. ვაჭრობის ტექნიკუმი, საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი. კლიმ. კურორტი.

ᲡᲝᲠᲣᲡᲘ (<ბერძნ. sōros — გროვა), გამრავლების ორგანოების — *სპორანგიუმების* (მაგ., გვიმრანაირები), ოოგონიუ-



ხ. ს ო რ ო ლ ი ა. „ბანაობის შემდეგ“. 1910. თანამედროვე ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. მადრიდი.



ა. სოსიურა.



შ. სოსლანი.



დ. სოსნოვსკი.



ზ. სოტკილავა.

მების (მაგ., წაბლია წყალმცენარე დიქტიოტასი) ჯგუფი.

სოსანი (Consolida), ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ხარისძირასებრთა ოჯახისა. ფოთლები თათისებრ-განკვეთილია, ყვავილები ზიგომორფულია, ღია ან მუქი იისფერი, ნაყოფი ფოთლურაა. აერთიანებს 50-მდე სახეობას, რებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში გვხვდება 16 სახეობა, საქართველოში — 4, რ-თაგან ყველაზე ხშირია C. divaricata. ს. იზრდება ველებში, ნახევრად უდაბნოებში, ქვიშიან და ქვიან ფერდობებზე, ნათესებში (სარეველად), დანაგვიანებულ ადგილებზე. ს-ის ზოგიერთი სახეობა გამოიყენება სამლებრო საქმეში, ზოგიერთი დეკორატიულია, ზოგიც — შხამიანი.

სოსელია გიორგი ქუთაის ძე (23. IV. 1897, სოფ. კირცხი, ყოფ. ზუგდიდის მაზრა, ახლანდ. ჩხოროწყუს რ-ნი,—13. VI. 1961, თბილისი), ქართველი საბჭ. მეცნიერი, იურისტი, იურიდ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). სკკპ წევრი 1919-იდან. დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტის იურიდ. განყ-ბა (1928) და მოსკ. წითელი პროფესურის ინ-ტი (1934). 1935—37 იყო თსუ-ის სახელმწიფოსა და სამართ. თეორიის კათედრის გამგე. ს-ს ძირითადი ნაშრომებია „რელიგიის წარმოშობა" (ნარკვევები, I—II გამოც., ტფ., 1930—32), „საბჭოები როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმა", (თბ., 1934), «საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ეეფხისტყაოსნის" მიხედვით», (სოხ., 1956) და სხვ.

სოსელია ოლღა ნიკოლოზის ასული [დ. 16 (29). VII. 1905, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი], ქართველი საბჭ. ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). 1935 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1941-იდან მუშაობს საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში (1946-იდან — უფროსი მეცნიერ თანამშრომლად, 1975-იდან — მეცნიერ კონსულტანტად). ს. იკვლევს ფეოდ. ხანის საქართვ. სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის საკითხებს.

თხზ.: მასალები კლასპრაქტიკა ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბ., 1960; ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). [ტ.] 1—2, თბ., 1973—81; ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა?), თბ., 1966.

შ. ბადრიძე.

სოსვა, მდინარე რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, მდ. ტავდის მარჯვ. შემადგენელი (ტობოლ—ობის აუზი). სიგრძე 635 *კმ*, აუზის ფართ. 24700 *კმ*². სათავე აქვს ჩრდ. ურალის აღმ. კალთაზე. მიედინება დას. ციმბ. ვაკეზე. შერეული საზრდოობის მდინარეა, ჭარბობს თოვლის წყალი. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 140 *კმ*-ზე 113 $\delta^3/წმ$. იყინება ნოემბ. დასაწყისში, ყინულძვრა აპრ.-შია. ხე-ტყის დაცურება. სანაოსნოა შესართავიდან 333 *კმ*.

სოსიურა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე [25. XII. 1897 (6. I. 1898), სადგ. დებალცევო, ახლანდ. დონეცკის ოლქი, — 8. I. 1965, კიევი], უკრაინელი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1920-იდან. ლირ. კრებულებში, პოემებში „წითელი ზამთარი", „1917 წელი" (ორივე 1921), „ოქსანა" (1922), „პასუხი" (1926), „ომი — ომს" (1930) ს-მ წარმოსახა რევ. და სამოქალაქო ომის ჰეროიკა. ეკუთვნის საბჭ. პატრიოტიზმის, მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით და სოციალ. აღმშენებლობის პათოსით გამსჭვალული მრავალი კრებული. მ. შ. აღსანიშნავია, „წითელი ვარდები" (1932), „ახალი ლექსები" (1937), „მიყვარს" (1939), „წითელ ჯარისკაცებს" (1941), „ბაღებმა რომ იხმაურონ" (1947, სსრკ სახელმწ. პრემია, 1948), „გულის სიმებზე" (1955), „მერცხლები მზეზე", „მშრომელი ოჯახის ბედნიერება" (1960, 1962; ორივე-სათვის ტ. შევჩენკოს სახ. უკრ. სსრ სახელმწ. პრემია, 1963) და სხვ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და 3 სხვა ორდენით.

სოსიური (Saussure) ფერდინანდ დე (26. XI. 1857, ჟენევა, — 22. II. 1913, ვიუფლან-სიურ-მორჟი, შვეიცარია), შვეიცარიელი ენათმეცნიერი. სწავლობდა ჟენევის (1875), ლაიფციგის, ბერლინის (1876—80) უნ-ტებში. 1881—91 ლექციებს კითხულობდა პარიზის „უმაღლეს პრაქტიკულ სკოლაში"; ჟენევის უნ-ტის ექსტრაორდინარული (1891), შემდეგ ორდინარული (1896) პროფესორი.

1879 ს-მა გამოაქვეყნა „მემუარი ხმოვანთა თავდაპირველი სისტემის შესახებ ინდოევროპულ ენებში", რ-მაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინდოევროპეისტიკის განვითარებაში. განსაკუთრებით დიდია ს-ის დამსახურება ენათმეცნ. თეორიის სფეროში. მისმა „ზოგადი ლინგვისტიკის კურსმა", რ-იც ჟენევის უნ-ტში 1906—11 წაკითხული ლექციების მიხედვით გამოსცეს შ. ბალიმ და ა. სეშემ ავტორის სიკვდილის შემდეგ (I გამოც. 1916), დიდი გავლენა მოახდინა XX ს. ლინგვისტიკაზე. ფართო მოცულობის ენობრივი მასალის ანალიზზე დაყრდნობით ს-მა სცადა დაეფუძნებინა ფართო ორიენტაციის ახ. ლინგვისტიკა, მოაქცია რა კვლევის ცენტრში ენობრივი სისტემა, რ-იც განხილულია როგორც სემიოლოგიური და სოც. მოვლენა, ნიშანთა ფსიქიკური სისტემა. ს-ის მოძღვრებისათვის დამახასიათებელია ენისა (langue) და მეტყველების (parole) დაპირისპირება; სინქრონიული (აღწერითი) ენათმეცნიერების წინ წამოწევა დიაქრონიულთან (ისტორიულთან) შედარებით; ენობრივ ნიშანთა ღირებულების ცნების შემოტანა; გარეგანი და შინაგანი ლინგვისტიკის გარჩევა. ს-ის იდეები დაედო საფუძვლად მთელ რიგ საენათმეცნ. მიმდინარეობებს, მ. შ. ლინგვისტურ სტრუქტურალიზმს. ს-ის მოძღვრებიდან იღებს სათაოეს თანამედროვე სემიოლოგია; მისი იდეები გამოხმაურებას პოულობენ საზღვარგარეთულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ეთნოგრაფიასა და ზოგიერთ სხვა დარგში.

თხზ.: Труды по языкознанию (пер. с франц., под ред. А. А. Холодовича), М., 1977.

ლიტ.: Слюсарева Н. А., Теория Ф. де Соссюра в свете современной лингвистики, М., 1975.

ი. ჭობალავა.

სოსლანი დავით, იხ. *დავით სოსლანი.*

სოსლანი დავით, იხ. *კეზელი* დავით ივანეს ძე.

სოსლანი (ნამდვ. გვარი სოსელია) შალვა ბესარიონის ძე [18. IV (1. V). 1902, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 1941], ქართველი საბჭ. მწერალი. უმეტესად რუსულად წერდა. ლექსების პირველი კრებული 1923 გამოაქვეყნა ქართ. ენაზე. იმავე წელს მიავლინეს მოსკოვში, სადაც მუშფაკში სწავლობდა. 1931 ჟურნ. „კრასნაია ნოვში" გამოაქვეყნა მოთხრ. „რაში და ქეთევანი". მომდევნო მოთხრობებში „მდინარეთა სიტყვა" (1932) და „აჩა" (1933) ს. მკვეთრად უპირისპირებდა ერთმანეთს ძვ. და ახ. ყოფას. მას ეკუთვნის დოკუმენტური მოთხრ. „ახალი ბაღი" (1936), დაუმთავრებელი რომანი „ოქროს საწმისი" (ნაწყვეტები გამოქვეყნდა 1941). დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე და მალე დაიღუპა.

ს-ის შემოქმედება ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ქართ. ლიტ. ტრადიციებთან. იღვწოდა ქართ. ლიტ-რის პოპულარიზაციისათვის, წერდა ნარკვევებს („შოთა რუსთაველი", 1937; „აკაკი წერეთელი", „შალვა დადიანი", ორივე 1940), თარგმნიდა ქართ. მწერლობის ნიმუშებს.

თხზ.: Конь и Кетевана. Повести, М., 1984.

სოსნოგორსკი (1957-მდე ი ჟ მ ა), ქალაქი კომის ასსრ-ში, მდ. იჟმის (პეჩორის შენაკადი) ნაპირზე. სოსნოგორსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური კოტლას—ვორკუტის ხაზზე. რკინიგზის ტრანსპ საწარმოები, ტექ. მურის წარმოება, ხე-ტყის გადამუშავება.

სოსნოვი-ბორი, ქალაქი (1973-იდან) რსფსრ ლენინგრ. ოლქში, ფინეთის ყურის მახლობლად. რკინიგზის სადგ. (კალიშჩე), ლენინგრადიდან 81 *კმ*. 51 ათ. მცხ. (1983). ლენინგრ. ატომური ელექტროსადგური, მანქანათსაშ. ქ-ნა, თევზის კომბინატი.

სოსნოვიეცი (Sosnowiec), ქალაქი პოლონეთში, კატოვიცეს სავოევოდოში. 252 ათ. მცხ. (1982). ქვანახშირისა და მეტალ. მრეწვ. ცენტრი. მანქანათსაშ., შალეულისა და სამკერვალო მრეწველობა. სამთო მუზეუმი.

სოსნოვკა, ქალაქი (1962-იდან) რსფსრ კიროვის ოლქში, ნავმისადგომი მდ. ვიატკის მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური ყაზან—აღრიზის ხაზზე. ხე-ტყის დასამუშ. კომბინატი, ხე-ტყის გადასატვირთავი დიდი ბაზა; გემთსაშენი, კარაქის ქ-ნები.

სოსნოვსკი დიმიტრი ივანეს ძე (19. VII. 1886, ალექსანდროპოლი, ახლანდ. ლენინაკანი, — 20. IV. 1952, თბილისი), საბჭ. ბოტანიკოსი, სისტემატიკოსი და ფიტოგეოგრაფი. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1950), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). ნოვოროსიის უნ-ტის (ოდესა) დამთავრებისთანავე განაგებდა თბილ. ბოტან. ბაღის ჰერბარიუმს (1909), იყო ბაღის ხთავარი ბოტანიკოსი (1918), სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის თბილ. ბოტან. ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1933), ამავე ინ-ტის დირექტორი (1935—37), მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრ. განყ-ბის გამგე (1937—52). ს-ს შრომები ეხება კაეკ. მცენარეთა სისტემატიკის, გეოგრ., ფლორისტიკისა და ფიტოცენოლოგიის საკითხებს. იყო „საქართველოს ფლორის" პირველი 8-ტომიანი გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი (1941—52), „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების" ორგანიზატორი და რედაქტორი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

ლიტ.: Гроссгейм А. А., Дмитрий Иванович Сосновский (К 60-летию со дня рождения), «Советская ботаника», 1947, т. 15, № 1; Памяти Д. И. Сосновского (некролог), «თბილისის ბოტანიკის ინ-ტის შრომები», 1953, ტ. 15.

ი. მანდენოვა.

სოტკილავა ზურაბ ლავრენტის ძე (დ. 12. III. 1937, სოხუმი), ქართველი საბჭ. მომღერალი (ლირ.-დრამ. ტენორი). სსრკ სახ. არტისტი (1979). სკკპ წევრი 1973-იდან. 1960 დაამთავრა ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი, 1965 — ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. კონსერვატორია (პროფ. დ. ანდღულაძის კლასი). 1965—74 ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის აკად. თეატრის სოლისტი. 1966—68 მიეღინებული იყო მილანის საოპერო თეატრ „ლა სკალაში" სტაჟიორად. 1974-იდან მოსკ. დიდი თეატრის სოლისტია. ს-ს აქვს ლამაზი ტემბრის ხმა, მისი შესრულება გამოირჩევა გამომსახველობით, გემოვნებით, მგზნებარე ტემპერამენტით, ლირ. სიფაქიზითა და დახვეწილი ოსტატობით. პარტიები: აბესალომი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"), არზაყანი (თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება"), ვო-

დემონი (ჩაიკოვსკის „იოლანტა“), მანრიკო, ოტელო, რიჩარდი, რადამესი. ჰერცოგი (ვერდის „ტრუბადური“, „ოტელო“, „ბალ-მასკარადი“, „აიდა“, „რიგოლეტო“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“), ედგარი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“), ინდოელი სტუმარი (რიმსკი-კორსაკოვის „სადკო“) და სხვ. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას. გასტროლებს მართავს საზღვარგარეთ (იყო 27 ქვეყანაში). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშ. ფესტივალის მთავარი პრიზის „ოქროს ორფევსის“ (სოფია, 1968) მფლობელი, პ. ჩაიკოვსკის სახ. IV საერთაშ. კონკურსისა (მოსკოვი, 1970, II პრემია) და ვოკალისტთა ფ. ვინიასის სახ. საერთაშ. კონკურსის (ბარსელონა, 1970, I პრემია და „გრან პრი“) ლაურეატი. ბოლონიის ხელოვნ. აკად. საპატიო წევრი (1980); ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწ. პრემია (1983). 1975-იდან მოსკ. კონსერვატორიის პედაგოგია.

ნ. სვანიშვილი.

სოტნიკოვი ალექსანდრე ტიმოთეს ძე (23. VIII. 1900, ს. ურიცკოე, კურსკის ოლქი, — 5. XI. 1974, თბილისი), საბჭ. კავშირის გმირი (15. V. 1946), გვარდიის პოლკოვნიკი (1945). სკკპ წევრი 1925-იდან. დიდი სამამულო ომის (1941–45) წლებში იბრძოდა სამხრეთის, სტალინგრადის, ჩრდ.-დასავლეთის, ბალტიისპირეთის II და ბელორ. I ფრონტებზე. ბერლინის აღების მონაწილე. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩიბჩილაკაშვილი.

სოუქსუს კონცხი, კონცხი შავი ზღვის სანაპიროზე, გუდაუთის რ-ნში. მდ-ების ხიფსთისა და გუდოუს შორის. აგებულია მდ. ხიფსთის მიერ გამოტანილი ალუვიური მასალით. კონცხის აღმ. ნაწილში მდებარეობს ქ. გუდაუთა, დას-ში — ბამბორის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. კონცხზე მდებარეობს სოფ. ლიხნი.

გ. გიგინეიშვილი.

სოფელი, დასახლების ერთ-ერთი უძველესი და საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა. ხალხმრავლობის მიხედვით არჩევენ პატარასა (რამდენიმე კაცი ან კომლი) და დიდ (რამდენიმე ათ. კაცი) ს-ებს. ს-ების გარეგნული იერი მრავალფეროვანია ქვეყნის განსხვავებული ბუნებრივი პირობებისა და საწარმოო მიმართულების გამო, მაგრამ მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდ. საცხოვრ. სახლებით განაშენიანების და სას.-სამ. წარმოების უპირატესი გავრცელება. ურბანიზაციის საყოველთაო გაძლიერებას თან სდევს ს-ების საერთო რაოდენობისა და მოსახლ. შემცირების ტენდენცია.

სსრკ-ში ს. ადმ.-ტერ. დაყოფის ძირეული ერთეულია. ს-ში სახელმწ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოა სახ. დეპუტატების სასოფლო საბჭო (სოფსაბჭო).

ვ. ნეიძე.

სოფია, ბულგ. სრ-ის დედაქალაქი, ქვეყნის უდიდესი ქალაქი, მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. უჭირავს მოხერხებული გეოგრ. მდებარეობა დას. და ცენტრ. ევრ. ქვეყნების ახლო აღმ. ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებზე. გაშენებულია 530–650 *მ* სიმაღლეზე სოფიის ქვაბულის სამხრ. კიდეში, ვიტოშის მთის ძირას. ქალაქის აღმ. განაპირა ნაწილში მიედინება მდ. ისკირი. ჰავა ზომიერი კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რა 2°C, ივლ. 20°C. ნალექები 600–650 *მმ* წელიწადში. ს-სა და მის მიდამოებში არის მინერ. წყაროები.

ს. ქ-ებს ბანკიას, ნოვი-ისკირსა და სხვა დასახლ. პუნქტებთან ერთად ქმნის ცალკე ადმ. ერთეულს. 1,1 მლნ. მცხ. (1982; 1880 წ. — 21 ათ.), ბულგ. მოსახლ. 1/10-ზე მეტი.

ქალაქის მმართველობა. ს. რესპ. დაქ-ვემდებარების ქალაქია, სოფიის ოკრუგის ადმ. ცენტრი. სახელმწ. ხელისუფლების ორგანოა საქალაქო სახ. საბჭო, რ-საც ირჩევს მოსახლეობა (18 წლის ასაკიდან) ორ-ნახევარი წლის ვადით. სესიებს შორის პერიოდში მოქმედებს საქალაქო სახ. საბჭოს მიერ არჩეული აღმასრ. კომიტეტი. ს-ის რ-ნებში ირჩევენ სარაიონო სახ. საბჭოებს ორ-ნახევარი წლის ვადით.

ისტორიული ცნობა. ს. სერდიკას (Serdica) სახელწოდებით არსებობს ახ. წ. I ს-იდან — რომაელების მიერ თრაკიელ-სერდების მიწა-წყლის დაპყრობის შემდეგ. 441–447 დაანგრიეს ჰუნებმა, აღადგინა იუსტინიანემ (ბიზანტ. იმპ. 527–565). 809 შევიდა ბულგ. I სამეფოს შემადგენლობაში (სრედეცის სახელწოდებით). 1078 მოხდა ქალაქის მოსახლ. აჯანყება ბიზანტიელთა ხელისუფლების წინააღმდეგ. XIV ს. ბოლოდან ეწოდა. ს. (წმ. სოფიოს ეკლესიის სახელწ. მიხედვით). 1382 დაიპყრეს ოსმალებმა. ს. იყო რუმელიის ბეილერბეის რეზიდენცია. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში ბულგ. ხალხის ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მთავარი ცენტრია. 1877 წ. 2(3 დეკ. (1878 წ. 4 იანვ.) რუს. არმიამ გაანთავისუფლა ოსმალთა ბატონობისაგან. 1879-იდან ბულგ. დედაქალაქია. რუს. 1905–07 რევ. გაელენით ს-ში ეწყობოდა მუშათა და სტუდენტთა დიდი გამოსვლები. 1919 მაისში ს-ში შედგა ბულგ. კომპარტიის I ყრილობა. 1944 წ. 9 სექტ. ს-ში შეიქმნა სამამულო ფრონტის პირველი სახ. დემოკრ. მთავრობა.

ეკონომიკა. ს. ქვეყნის მთავარი ინდუსტრ. ცენტრია, მის წილად მოდის ბულგ. მრეწვ. მთლიანი პროდუქციის დაახლ. 20%. ჭარბობს მძიმე მრეწვ. დარგები (ს-ის მრეწვ. პროდუქციის დაახლ. 2/3). განვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშ. (უმთავრესად ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა, ამწევ-სატრანსპ. მოწყობილობის წარმოება), ქიმ., საფეიქრო, კვების, პოლიგრ. მრეწველობა. ს-მდე მიყვანილია აირსადენი სსრკ-იდან. სამრეწვ. საწარმოები განლაგებულია უმთავრესად ს-ის ჩრდ. და აღმ. რ-ნებში, ცენტრ. ნაწილში ჭარბობს სავაჭრო, ადმ. და კულტ. დაწესებულებები. დიდი ფართობი უჭირავს პარკებს, ბაღებს, ბულვარებს. ს. სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალების, აგრეთვე ავიახაზების უდიდესი კვანძია. ს-ზე გადის საერთაშ. სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალები ბუდაპეშტ—ბელგრად—სოფია—სტამბოლი. შენდება მეტროპოლიტენი. ს-ის მიდამოები — ვიტოშა, ისკირის ხეობა, ისკირისა და პანჩარევოს წყალსაცავები და სხვ. ს-ის მცხოვრებთა დასვენების ადგილი და ტურიზმის რ-ნია.

არქიტექტურა. 1888–93 ქალაქის ცენტრ. ნაწილი უპირატესად რადიალურ-წრიული გეგმის შესაბამისად ვითარდება, განაპირა რ-ნებში სწორკუთხა დაგეგმარებაა. შემორჩენილია ძვ. რომაული ნაგებობების ნაშთები. შუა საუკ. მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლია წმ. სოფიოს ეკლესია (V–VI სს.). XIX ს.— XX ს. დასაწყისში ეკლექტიკურ შენობებთან ერთად შენდება ეროვნ. ტრადიციებზე აღმოცენებული ხუროთმოძღვრული ძეგლები (მინერ. წყლების აბანოები, 1907–10, არქიტ. პ. მომჩილოვი), თურქ. უღლისაგან განთავისუფლების ხსოვნის აღსანიშნავი მონუმენტები. ს. განსაკუთრებით ინტენსიურად განაშენიანდა 1944-ის შემდეგ (1961 მიიღეს 20-წლიანი გენ. გეგმა). არქიტ. ძეგლები: ცენტრ. მოედნების ანსამბლი გ. დიმიტროვის მავზოლეუმით (1949, არქიტექტორები გ. ოვჩაროვი, რ. რიბაროვი), სპორტ. კომპლექსი „უნივერსიადა“ (1961, არქიტ. ა. ბაროვი), საბჭ. არმიის პატივსაცემად აღმართული მონუმენტი (ბრინჯაო, ქვა, 1954, არქიტექტორები დ. მიტოვი, ლ. ნეიკოვი, მოქანდაკეები ი. ფუნევი და სხვ.).


სასწავლო-სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები. ს-ში არის სოფიის უნ-ტი, ელექტროტექ., ეკონ., ქიმ.-ტექნოლ., სამთო-გეოლ., სას.-სამ., ფიზკულტურის, სახვ. ხელოვნ., თეატრ. ხელოვნ. ინ-ტები, ბულგ. სახელმწ. კონსერვატორია და სხვ. სამეცნ. დაწესებულებები: *ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია,* 117 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, და სხვ. დიდი



ზ. სოტკილავა ოტელოს როლში. (ვერდის „ოტელო“).



ა. სოტპიკოვი.



სოფია. ვ. ი. ლენინის მოედანი.



სოფიოს ტაძარი კიევში. 1037. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი.

ბ-კები, დიდი მუზეუმები, თეატრები, ფილარმონია.

სოფიზმი (ბერძნ. sophisma — ხრიკი, გამონაგონი, თავსატეხი), გამოგონილი, მახვილგონიერული, კამათში მოწინააღმდეგის ცდუნების მიზნით საგანგებოდ ბუნდოვნად ჩამოყალიბებული წანამძღვრებიანი ან გაუმართავი არაკორექტული ღასკვნა, ბჭობა, რ-იც თავისი ფორმულირებით მოწინააღმდეგეს უქმნის სწორის შთაბეჭდილებას. მაგ., რაც არ დაგიკარგავს, გაქვს; რქები არ დაგიკარგავს, მაშასადამე, რქები გაქვს. ამგვარ დასკვნა-დასაბუთებებს იყენებდნენ განსაკუთრებით გვიანდ. ხანის სოფისტები. თვითნებურად არჩეული ალტერნატივიდან აკეთებდნენ ასევე თვითნებურ წინასწარ სასურველ დასკვნებს, ე. ი. ს. დასკვნა-დასაბუთების ისეთი სახეობაა, რ-შიც ტერმინები განსხვავებული მნიშვნელობით არის გამოყენებული და ამის გამო დარღვეულია ლოგიკის კანონები, რაც გარეგნულად არ ჩანს, ე. ი. გამომდინარეობის წესის დარღვევა შენიღბულია.

ს-ის საფუძველზე განვითარდა სოფისტიკა, როგორც კამათის ხელოვნება, რ-ის მიზნად იქცა არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ კამათი კამათისათვის, მოკამათის მოჩვენებითი დამარცხება ტერმინების შეცვლის ან თვითნებური ალტერნატივების აგების საფუძველზე. ს-ის ბუნება აშხილეს პლატონმა და არისტოტელემ.

ს-ად მიაჩნდათ მეგარის სკოლაში დამუშავებული *პარადოქსები* („გროვა", „ცრუ", „დალაქი"). ს-გან უნდა გავარჩიოთ *ანტინომია* და პარადოქსი. ს. წარმოიშობა ლოგიკური სემანტიკური წესების დარღვევის შედეგად. მაგ., დასაბუთებაში იგი ჩნდება ისეთი შეცდომებისაგან, როგორიცაა „თეზისის შეცვლა", „ყალბი გამომდინარეობა", „ტერმინების გაოთხმაგება" და სხვ. სემანტიკური თვალსაზრისით ს-ში ყველაზე მეტად გავრცელებულია სიტყვის მრავალმნიშვნელოვნება (პოლისემია).

ლიტ.: წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1966; Ахманов А. С., Логическое учение Аристотеля, М., 1960; Гокиели Л. П., О парадоксах теории множеств, «თსუ შრომები», 1957, ტ. 64.

მ. ჭელიძე.

სოფიის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული დას. ბულგარეთში. ფართ. 7,4 ათ. კმ². მოსახლ. 317 ათ. კაცი (1974). ადმ. ც. — ქ. სოფია (ადმინისტრაციულად ს. ო-ში არ შედის). ოკრუგის ჩრდ. ნაწილში სტარა-პლანინის მთებია, სამხრეთში—რილის მასივი, აღმ-ში — სრედნა-გორა. არის მურა ნახშირის, პოლიმეტალური და სპილენძის მადნის საბადოები. მეურნეობა ინდუსტრ.-აგრ. ხასიათისაა. მრეწვ. მთავარი დარგებია: ფერადი მეტალურგია, ქვანახშირის, ქიმ., ხე-ტყის, საფეიქრო, კვების მრეწველობა. სწრაფი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობა. სოფ. მეურნ. პროდუქციის 1/2-ზე მეტს იძლევა მეცხოველეობა. ს. ო. პირველ ადგილზეა ბულგარეთში მსხვ. რქ. საქონლის სულადობით, სელის მოყვანით. მთის კურორტები (ბოროვეცი და სხვ.). ტურიზმი.

სოფიის სახალხო ოპერა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი მუსიკალური თეატრი. გაიხსნა 1908. 1910 თეატრში დაიდგა პირველი ეროვნ. ოპერა — ე. მანოლოვის „მათხოვარი ქალი". 1921-მდე ეწოდებოდა „ბოლგარსკა ოპერნა დრუჟბა" („ბულგარეთის საოპერო ამხანაგობა"). 1921-იდან სახელმწიფო თეატრია და ატარებს დღევანდელ სახელწოდებას. ს. ს. ო-ის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანეს პროგრ. მუსიკოსმა მოღვაწეებმა: დ. კაზაკოვმა, ი. სლავკოვმა, ა. ბუკორეშტლიევმა; აგრეთვე ბულგ. მომღერლებმა: კ. მიხაილოვსტოიანმა, ი. ვულპემ, ბ. გიუზელევვულპემ და სხვ. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა სრულყოფილი საოპერო დასი. იდგმებოდა რუს. და დას. ევრ. კლასიკოსთა ნაწარმოებებიც. 1937 დაიდგა პირველი ეროვნ. ბალეტი — ხ. მანოლოვის „გველი და იანა".

60-იანი წწ. დასაწყისში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი თეატრი გახდა. უფროსი თაობის მომღერლებთან ერთად წარმატებით გამოდიან ნ. აფეიანი, ლ. ბოღუროვი, ი. ვინერი, ნ. გიაუროვი, რ. კაბაივანსკაია, ნ. ნიკოლოვი, კ. პოპოვა, დ. უზუნოვი და სხვ. მთავარი დირიჟორი (1946-იდან) ბულგ. სახ. არტისტი ა. ნაიდიონოვი. 1953-იდან თეატრი მუშაობს ახ. შენობაში (1400-ადგილიანი დარბაზი). თეატრი გასტროლებს მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-ში (1953, 1969).

სოფიის უნივერსიტეტი კლიმენტ ოპრიდელის სახელობისა, დაარსდა 1888 როგორც უმაღლესი პედ. კურსები, 1889-იდან უმაღლესი სასწავლებელი იყო, 1904-იდან უნ-ტია. 1905 მიენიჭა კლიმენტ ოპრიდელის სახელი. XIX ს. დასასრულიდან ს. უ. ბულგარეთში მარქსიზმის გავრცელების, ხოლო 1923—44 ანტიფაშისტური რევ. მოძრაობის ცენტრი იყო. სახ. ხელისუფლების წლებში ს. უ. ბულგ. სახ. რესპ. წამყვანი სამეცნ.-პედ. ცენტრია. მის ბაზაზე შეიქმნა სამედ., ეკონ., აგრონ., ზოოტექ., სას.-სამ., სატყეო მეურნ., ვეტ. ინ-ტები. 1983 ს. უ-ში იყო მათ., ფიზ., ქიმ., ბიოლ., გეოგრ.-გეოლ., ფილოს., ისტ., სლავური ფილოლ., დასავლური ფილოლ., იურიდ. ფაკ-ტები (1960-იდან უფასო სწავლებაა); სწავლობდა 16 ათ-მდე სტუდენტი, ასწავლიდა ათ-ასზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი. ბ-კაში 760 ათ-ზე მეტი დაცვითი ერთეულია. 1905-იდან გამოდის „სოფიის უნივერსიტეტის წელიწდეული".

სოფიო (გ. 7. IX. 1829), გურიის სამთავროს გამგებელი 1826—28, *მამია V გურიელის* მეულლე, გიორგი წულუკიძის ასული. ქმრის გარდაცვალების (1826) შემდეგ რუს. ხელისუფლებამ დაამტკიცა გურიის სამთავროს სამმართველოს საბჭოს თავ-რედ. იბრძოდა ამ საბჭოს გაუქმებისა და დამოუკიდებელი ხელისუფლებისათვის. რუს.-თურქ. 1828—29 ომის დროს ცდილობდა აღედგინა გურიის სამთავროს დამოუკიდებლობა. 1828 ოქტ-ში, როდესაც რუს. ჯარმა გურია დაიკავა, ს. დასმაღეთში გაიქცა. იქვე გარდაიცვალა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

სოფიო ალექსის ასული [17 (27). IX. 1657, მოსკოვი, — 3 (14). VII. 1704, იქვე], რუსეთის სახელმწიფოს გამგებელი 1682—89, *ალექსი მიხეილის ძის* ქალი. შვილი. მეფე თედორე ალექსის ძის გარდაცვალების (1682 წ. 27 აპრ.) შემდეგ ს. ა. ა. აქტიურად მონაწილეობდა სამეფო ტახტისთვის ბრძოლაში. უკმაყოფილო იყო მცირეწლოვან პეტრე I-ის გამეფებით. კარგად გამოიყენა 1682 მოსკ. აჯანყება და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. 1689 სექტ-ში პეტრე I-ს ჩამოაგდო ტახტიდან და ნოვოდევიჩის მონასტერში გამოკეტა. 1698 კვლავ შეეცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მაგრამ დამარცხდა და მონაზვნად აღიკვეცა.

სოფიოს ტაძარი კიევში, წმ. სოფიოს ტაძარი, ძვ. რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კიევის რუსეთის მთავარი საკულტო და საზოგადოებრივი ნაგებობა. კიევის მიტროპოლიტების მთავარი ტაძარი. საფუძველი ჩაეყარა 1037. 5-ნავიანი, 5-აფსიდიანი ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობა 13 გუმბათით არის დაგვირგვინებული. ძირითადი კამარები საფეხურისებრ არის განლაგებული. 3 მხრიდან გარს ერტყმის 2-იარუსიანი გალერეები. დღევანდელი, უკრ. ბაროკოს სახე ტაძარმა მიიღო XVII ს. დასასრ. — 1707 გადაკეთების შემდეგ. ინტერიერში შემორჩენილია მოზაიკა და ფრესკები (XI ს.). საბჭ. პერიოდში ტაძარს რესტავრაცია გაუკეთდა. ს. ტ-ში 1934 შეიქმნა არქიტ.-ისტ. მუზეუმ-ნაკრძალი „სოფიოს მუზეუმი".

სოფიოს ტაძარი ნოვგოროდში, წმ. სოფიოს ტაძარი, რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი, საკათედრო ტაძარი (ახლანდ. მუზეუმი). აგებულია 1045—50 „დეტინეცში" (კრემლი; ძირითადად ქვით) როგორც მთავარი ტაძარი, კიევის სოფიოს ტაძრის მსგავსად. ს. ტ. დიდი, 5-ნავიანი, ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა. ჩრდ-იდან, დას. და სამხრ-იდან ეკვრის გალერეები. ტაძარში შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები (XI ს. II ნახ., 1108 და 1144), დასავლეთის ბრინჯაოს, ე. წ. კორსუნის, კარი (1152—56), XIV ს. შუა ხანისა და XV ს. დასაწყ. ხატები. ტაძარი ნაწილობრივ დაინგრა 1941—44; ახლა რესტავრირებულია.

სოფიოს ტაძარი სტამბოლში, აია-სოფია, ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ძეგლი. გუმბათოვანი ტაძარი. აგებულია 532—537, ხუროთმოძღვრები ანთემი ტრალისელი და ისიდორე მილეტელი. 3-ნავიანი ტაძრის (სიგრძე 77 *მ*) აფრებზე ამოყვანილი გუმბათი (დიამეტრი 31,4 *მ*) ძირითად სივრცეს ნახევარგუმბათების რთული სისტემით უკავშირდება, რითაც იქმნება ჰარმონიული ერთიანობა და ინტერიერს გრანდიოზული და დიდებული იერი ენიჭება. შიგნით ტაძარი მორთულია ფერადი მარმარილოთი და მოზაიკით, რ-ებიც თურქებმა შელესეს 1453 ს. ტ-ის მეჩეთად ქცევის შემდეგ (VI—XII სს. მოზაიკის ნაწილი გაწმენდილია). გარედან ტაძარი დამახინჯებულია XVI—XVIII სს. თურქ. მინაშენებით (მინარეთები და სხვ.). ახლა მუზეუმია.

სოფისტები (ბერძნ. sophistēs — ბრძენი, ცრუბრძენი, გამომწონებელი), ფართო მნიშვნელობით — მახვილგონიერი, პრაქტიკულად გაწაფული, მოხერხებული ადამიანები; ვიწრო მნიშვნელობით — სიბრძნისა და მჭერმეტყველების მასწავლებლები, ფილოსოფოსები, რ-ებიც მოღვაწეობდნენ საბერძნეთში ძვ. წ. V ს. II ნახევარსა და IV ს. I ნახევარში. მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარების პირობებში ს-მა განმანათლებლური როლი შეასრულეს. მათ სიბრძნის მასწავლებლობა პროფესიად გაიხადეს. ს-მა ფილოს. კვლევის ცენტრში ადამიანი დააყენეს. განასხვავებენ ს-ის ორ თაობას: უფროსი თაობის ს. (პროტაგორა, ჰიპია, გორგია) და უმცროსი თაობის ს. (ევთიდემე, თრასიმაქე, კრიტონი, კალიკლე).

IV ს-იდან (ძვ. წ.) უმცროსი თაობის ს-მა ხელი აიღეს ჭეშმარიტების ძიებაზე და პრაგმატული მიზნით თავიანთთვის სასარგებლო შეხედულებების მოჩვენები-

ართლებაა დაიწყეს. ამ დროიდან ური მოთძრაობა ცრუმეცნიერული სახელი ; გაუტყდა. ს-ს ებრძოდნენ ე და პლატონი. არისტოტელემ ებითი სიბრძნე" უწოდა სოფის- სოფისტი კი — იმას, ვინც იცის, ოგორ მოოიგოს ფული". ს-ს დიდ- რყოფითად აფასებდნენ. მხოლოდ ა აღნიშნა მათი ცნებითი აზ- ის „მოქნილობა" და დიალექტი- ..

საფუძველი მოამზადეს ლოგი- ნიერებისს განვითარებისათვის, ხე- უწყვეს დღასკვნა-დასაბუთების ფორ- ამუშავებაასა და ენის გრამატ. ფორ- კვლევას. *მ. ჭელიძე.*

ბი (იტალ. soffitto — ჭერი), 1. თაღის,, კამარის, გამოტანილი რდანის და შენობის სხვა ნაწილე- ამუშავებული, ქვევიდან ხილვადი ირი. 2. სცენის თავზე ან მის ებზე განლაგებული სანათების რი-

ᲫᲘᲡ ᲐᲚᲘᲐᲫᲝᲗᲘ", ქართული ყო- ირეული იუმორისტული ჟურნალი. ოდა თბილისში 1912 ჟურნ. „ჩვე- იაქოთის"" შემდეგ. რედ. გამომცე- – მ. ლეჟავაშვილი. კარიკატურები ის ო. შმერლინგს.

ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ -ში, ზოგჯადსაგანმანათლებლო სკო- რ-ებიც შეიქმნა 1944 სოფლის ზრდობის სწავლებისათვის სასო- სამეურნეო წარმოებისაგან მოუწყ- დ. იხსნებოდა დიდ კოლ-ბებში, მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტო- ადგურებთან (ჯერ I—IV, I—VII ბი, 1956-იდან კი აგრეთვე — V—X, X კლასები). 1958 ეწოდა საღამოს ანი) სამ. ზოგადსაგანმან. სკოლა.

ᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ", ქართული ყო- იური ჟურნალი, სკპ (ბ) ცკ-ის ო. გამოდიოდა თბილისში 1925— ამოსცემდა გაზ. „ახალი სოფლის" ცია. აშუქებდა სასოფლო საბჭოე- შუშაობას,, სას.-სამ. კოოპერაციის, ლების ორგანიზაციისა და კადრების ბებს. 1930 აგვ-დან მის ნაცვლად ოდა „აგიტატორი".

ᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ, მატერიალური ების უმნიშვნელოვანესი დარგი, დანიშნულებაა მოსახლეობის მომა- კვების პროდუქტებით, ნედლეუ- წარმოება მრეწველობის მრავალი ისათვის, აგრეთვე ცოცხალი გამწე- ლის მოშენება. ს. მ-ის ძირითადი ებია *მიწათმოქმედება (მემინდვრე- ობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მეწიაღ- ობა, მეციტრუსეობა,* მეკარტოფილეობა ვ.) და *მეცხოველეობა* (მესაქონლე- *ობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინ-* ობა და ა. შ.). ზოგიერთ ქვეყანაში შედის *სატყეო მეურნეობაც.* ამ ების სწორად უეთანაწყობა უზრუნ- ფს მიწის, მატერ. და შრომითი სების რაციონალურ და ეფექტურ ენებას. ს. მ-ში მთავარი წარმოების ლებაა *მიწა,* რ-ის სპეციფ. თვისე- განსაზღვრავს სას.-სამ. წარმოების ბლიზაციას. ს. მ-ის სხვა წარმო- საშუალებებია ცოცხალი ორგანიზმე- ცენარეები, ცხოველები), რის გამოც დახლართულია ეკონ. და ბუნებრივი ირების მოქმედების შედეგები. წარ- ს დრო და სამუშაო პერიოდი ერთ- ს არ ემთხვევა (იხ. *წარმოების სა- ობა*).

მ. ადამიანის სამეურნეო საქმია- ერთ-ერთი ყველაზე ძვ. დარგია. ჩაისახა ქვის ხანაში (ნეოლითი). ნეების განმავლობაში ს. მ. ექსტენ- დ ვითარდებოდა, თანდათან იცვლე- და იხვეწებოდა მიწათმოქმედების შები, იქმნებოდა მცენარეთა და ლთა ახ. ჯიშები. საზ-ბის გან- რების ყველა ფორმაციისათვის დამა- ხასიათებელი იყო ს. მ-ის გაძღოლის თავისებური ფორმა და კულტურა.

სოფლის მეურნეობა რევოლუციამდელ რუსეთში ხასიათდებოდა უკიდურესად დაბალი პროდუქტიულობით, წარმოების ორგანიზაციის ჩამორჩენილობით. 1913 წ. 152,5 მლნ. ჰა (მიწის ფართობის 42%) ეკუთვნოდა მემამულეებს, საუფლისწულო უწყებებსა და მონასტრებს, 214,7 მლნ. ჰა (58%) კი — გლეხობას. სათესი ფართობის 88%-ზე მეტი დაკავებული იყო მარცვლეული და მარცვეულ-პარკოსანი კულტურებით. ს. მ. საჭიროებდა ღრმა სოც.-ეკონ. გარდაქმნას, რასაც საწყისი მისცა დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ.

საბჭოთა კავშირის ს. მ. სახ. მეურნ. მსხვილი, ტექნიკურად შეიარაღებული დარგია. აწარმოებს ქვეყნის ეროვნ. შემოსავლის 15,3% (1982). ს. მ-ში ჩართულია დასაქმებული მოსახლ. 20% (მოსწავლეების გარეშე). გამოიყოფა ორი სექტორი: სახელმწიფო (საბჭ. მეურნეობები) და საკოლმ.-კოოპ. (კოლ-ბები). ზოგიერთ სას.-სამ. პროდუქტს აწარმოებენ აგრეთვე პირად დამხმარე მეურნეობებში. 1982 სსრკ-ში იყო 26,4 ათ. კოლ-ბა, 22,0 ათ. საბჭ. მეურნეობა, 9,8 ათ. მეურნეობათაშორისი საწარმო და ორგანიზაცია, 3102 რაიონული აგროსამრეწვ. გაერთიანება, 156 საოლქო, სამხარეო, რესპ. (ასსრ) აგროსამრეწვ. გაერთიანება.

1982 სას.-სამ. სავარგულთა მთელი ფართობი 606,1 მლნ. ჰა იყო. აქედან სახნავი (მლნ. ჰა) — 227,4, სათიბი — 40,9, საძოვარი — 332,3. მთელი სათესი ფართობი (214,3 მლნ. ჰა) შემდეგნაირად იყო განაწილებული: მარცვლეულ კულტურებს ეკავა (მლნ. ჰა) 123,0, ტექ. კულტურებს — 14,2, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს — 9,2, საკვებ კულტურებს — 67,9. 1983 წ. 1 იანვ-თვის ყველა კატეგორიის მეურნეობაში იყო სულ 117,2 მლნ. სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მ. შ. ძროხა (მლნ. სული) 43,8, ღორი—76,7, ცხვარი—149,4, თხა — 148,5, ცხენი — 5,6.

ს. მ-ის განვითარებაში თვისებრივად ახ. ეტაპი დაიწყო სკკპ ცკ-ის მარტის (1965) პლენუმის შემდეგ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ს. მ-ის მატერ.-ტექ. ბაზა, წარმოების სტრუქტურა, გაფართოვდა საწარმოო სიმძლავრეები, ამაღლდა ს. მ-ის პროდუქტების წარმოების მოცულობა.

ს. მ-ის მთლიანი პროდუქცია (1973 შესადარებელი ფასებით) 1982 წ. 127,4 მლრდ. მან. შეადგენდა (1940 — 49,3 მლრდ. მანეთი), მემცენარეობის პროდუქცია—58,2 მლრდ. მან., მეცხოველეობისა — 69,2 მლრდ. მან. 1965 ეს მაჩვენებლები (შესაბამისად) შეადგენდა: 70,9, 34,8 და 35,1 მლრდ. მან. ინტენსიფიკაციის ფაქტორების კომპლ. გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლ-ბებისა და საბჭ. მეურნეობების ეკონომიკა.

ს. მ-ის პროდუქციის ცალკეული სახეობის წარმოება ქვეყნის ტერიტორიაზე გაადგილებულია ბუნებრივ-ეკონ. პირობების გათვალისწინებით და იგი შრომის საერთო-საკავშ. დანაწილების საერთო მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. მარცვლეულის წარმოების ძირითადი რ-ნები თავმოყრილია რსფსრ-ში, უკრ. სსრ-ში, ყაზ. სსრ-ში; შაქრის ჭარხლისა — უკრ. სსრ-ში, ჩრდ. კავკასიაში, რსფსრ-ის ცენტრ. შაყმიწანიადაგიან ზოლში; კარტოფილისა — რსფსრ-ის არაშავმიწანიადაგიან ზოლში; უკრ. სსრ-ში, ბელორ. სსრ-ში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოში; ბოსტნეულისა — ძირითადად მსხვილი ქ-ების ირგვლივ, განსაკუთრებით უკრ. სსრ-ში, რსფსრ ცენტრ. რ-ნებში, ჩრდ. კავკასიაში; მევენახეობა ძირითადად გადგილებულია უკრ. სამხრ. რ-ნებში, ჩრდ. კავკასიაში, ამიერკავკასიასა და მოლდ. სსრ-ში; ჩაი და ციტრუსები — საქ. სსრ-ში. მერძეული მესაქონლეობის ძირითადი რ-ნებია რსფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონა, დას. ციმბ., ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, უკრ. სსრ, ბელორ. სსრ, ამას გარდა, თავმოყრილია მსხვილი ქ-ებიაა და სამრეწვ. ცენტრების ირგვლივ; მერძეულ-მეხორცული მესაქონლეობა განვითარებულია დას. და აღმ. ციმბირში, შორეულ აღმ-ში, რსფსრ ცენტრ. ნაწილში, ამიერკავკასიაში, მეხორცულ-მერძეული— ყაზ. სსრ-ში, ყირგ. სსრ-ში, ურალში, აღმ. და დას. ციმბირში, შორეულ აღმში; მეღორეობა — ბალტიისპირეთში, მოლდ. სსრ-ში, უკრ. სსრ-ში, ბელორ. სსრ-ში, ცენტრ. შაყმიწანიადაგიან ზოლში, ჩრდ. კავკასიასა და რსფსრ-ს არაშავმიწანიადაგიან ზოლში; მეცხვარეობა — ყაზ. სსრ-ში, შუა აზიის რესპუბლიკებში, ყოლგისპირეთში, ჩრდ. კავკასიაში, აღმ. და დას. ციმბირში; მეფრინველეობა — ძირითადად რსფსრ-სა და უკრ. სსრ-ში.

მეცნ.-ტექ. პროგრესის კვალობაზე თანდათან ვითარდება წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მეურნეობათაშორისი კოოპ. და აგროსამრეწვ. ინტეგრაციის ბაზაზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა. საქართვ. ს. მ-ზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სპეციფ. ბუნებრივი და ეკონ. პირობები. რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 0,16 ჰა სახნავი და 0,62 ჰა სას.-სამ. სავარგული. ანალოგიური მაჩვენებლები სსრკ-ში (შესაბამისად) 0,88 და 2,14 ჰა შეადგენს. თავისებურია სას.-სამ. სავარგულთა სტრუქტურაც. სახნავს უკავია მთელი სას.-სამ. სავარგულების მხოლოდ 25,8%, სსრკ-ში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 40,9%-ია, უკრაინაში — 81,3%, მოლდავეთში — 69,2% და ა. შ. 1982 საქ. სსრ ხვ. წ. სსრკ ს. მ-ის მთლიან პროდუქციაში 1,73% იყო, მ. შ. მემცენარეობის პროდუქციის— 2,75%, მეცხოველეობისა — 0,9%. რესპუბლიკა აწარმოებს სსრკ-ში წარმოებული ჩაის 94,6%, ციტრუსების (ღია გრუნტის) და სხვა სუბტროპ. ხილის — თითქმის 100%, ყურძნის—13 — 14%, ხილის 7 — 8%. ს. მ-ის დარგობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს ძირითადად მრავალწლიანი კულტურები, კერძოდ მასზე მოდის ს. მ-ის სასაქონლო პროდუქციის 30,0%, მევენახეობაზე—13,3%, მეხილეობაზე—2,8% და მეციტრუსეობაზე — 2,8%, ტექ. კულტურებზე—4,1%, კარტოფილზე, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე — 6,1%, მემარცვლეობაზე — 3,1%, სულ მემცენარეობაზე — 74,8%, მეცხოველეობაზე — 25,2% (აქედან მსხვ. რქ. მესაქონლეობა — 12,6%; მეღორეობა — 3,3%, მეცხვარეობა —2,6%, მეფრინველეობა — 5,8%).

1983 დასაწყისისათვის იყო 699 კოლბა, 539 საბჭ. მეურნ. და 360 მეურნეობათაშორისი საწარმო და ორგანიზაცია, 69 რაიონული აგროსამრეწვ. გაერთიანება. ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1982 წარმოებული იყო 2106,6, მლნ. მან. ს. მ-ის მთლიანი პროდუქცია, მ. შ. მემცენარეობის 1492,5 მლნ. მან.და მეცხოველეობის 614,1 მლნ. მან., რესპ. ტერიტორიაზე გამოყოფილია ს. მ-ის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა და 11 ქვეზონა, რ-ებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ს.მ-ის დარგობრივი სტრუქტურით, ინტენსივობის დონით.

საზღვარგარეთის ქვეყნების ს. მ. საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში აგრ. გარდაქმნები *ლენინის კოოპერაციული გეგმის* ძირითადი პრინციპების საფუძველზე განხორციელდა; შეიქმნა მსხვილი სოციალ. ტიპის ს. მ.; სოციალ. სექტორმა გაბატონებუ-

ლი ხასიათი მიიღო, მასში შეიდა სახელმწ. მეურნეობები და კოოპერატივები. ს. მ. ვითარდება თანამიმდევრული და ფართო ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

მთლიანად სოციალ. ქვეყნების წილად მოდის მსოფლიო მარცვლეულისა და მარცვლეული პარკოსნების წარმოების 38%, კარტოფილის წარმოების — 67%, შაქრის ჭარხლის — 51%, ბამბის — 39%.

ს. მ-ის განვითარება თანდათანობით გადადის ინდუსტრ. საფუძველზე. 60-იანი წწ. შუა პერიოდიდან ფართოდ ვრცელდება მსხვილი ავტომატიზებული მეფრინველეობის ფ-კები (უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, იუგოსლავია), მეღორეობის სასუქებელი კომპლექსები (უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, იუგოსლავია), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსები (უნგრეთი, გდრ, პოლონეთი), მსხვილი მერძეული ფერმები (2 ათ. სულზე — გდრ) და სხვ.

ს. მ-ის სპეციალიზაცია ვითარდება შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილების, სოციალ. ქვეყნების ეკონ. ინტეგრაციის პირობებში.

ფუნქციონირებს მეურნეობათაშორისი კოოპ. და აგროსამრეწვ. ინტეგრაციის რამდენიმე ტიპი: აგროსამრეწვ. კომპლექსები (ბულგარეთი), კოოპ. კავშირები (გდრ), აგროსამრეწვ. კომბინატები (პოლონეთი, იუგოსლავია) და სხვ.

კაპიტალისტური ქვეყნების ს. მ-ის დამახასიათებელი თავისებურებაა მეცნ.-ტექ. რევ. მიღწევების გამოყენება, დარგის ინდუსტრიალიზაცია. ამ ქვეყნებს ეკუთვნის მსოფლიო სას.-სამ. სავარგულების 30%-მდე. ს. მ-ში მიმდინარეობს წარმოების კონცენტრაციის აქტ. პროცესი, რასაც თან ახლავს წვრილი მეურნეობების (ფერმების) მასიური ლიკვიდაცია, სოფ. მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება, *სოფლის მეურნეობის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების* გაძლიერება და ა. შ., ს. მ-ში კონცენტრაციის პროცესი მიმდინარეობს გაძლიერებული ინტენსიფიკაციის ფონზე.

განვითარებული კაპიტალ. ქვეყნების ს. მ-ის დამახასიათებელი თავისებურებაა ს. მ-ის დარგობრივ სტრუქტურაში მეცხოველეობის პროდუქციის მაღალი ხვედრითი წილი (60% მეტი).

განვითარებადი ქვეყნების ს. მ. დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში მოსახლ. უმეტესი ნაწილი სას.-სამ. წარმოებით არის დასაქმებული (მაგ., ინდოეთში — 68%, ინდონეზიაში — 70%, კენიაში — 84,% მალიში — 91%). ზოგიერთ ქვეყანაში (ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია და სხვ.) განსაზღვრულ როლს ასრულებს სახელმწ. სექტორი. ზოგში კი (ალჟირი, ტუნისი, ირანი და სხვ.) სახელმწიფო ხელს უწყობს საწარმოო კოოპერაციის განვითარებას.

ამ ქვეყნების ს. მ-თვის დამახასიათებელია შრომის ნაყოფიერების ძალზე დაბალი დონე, ჩამორჩენილია აგროტექნიკა. თითოეულ მცხოვრებისათვის აწარმოებენ 2,5-ჯერ და ამაზე უფრო ნაკლებ პროდუქტს, ვიდრე განვითარებული კაპიტალ. ქვეყნები. გაერთ. ერების ორგანიზაციის მონაცემებით, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში მუდმივად შემცირდება მოსახლ. 20—25%; საერთოდ მსოფლიოში არასრულფასოვნად იკვებება დაახლ. 500 მლნ. კაცი. ამ ქვეყნებისათვის გადაუდებელია სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, რაც ძირეულ აგრ. გარდაქმნებს მოითხოვს.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 3; რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ, პ. ჟღენტის საერთო რედ., თბ., 1982; იაშვილი ს., საქართველოს სსრ მიწის ფონდი, ტ. 2, თბ., 1975; ჟღენტი პ., პაპუნიძე ვ., კიკნაველიძე ა., ბუსკაძე ვ., სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა, თბ., 1972; ჟღენტი პ., ქიშველაშვილი ო., საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და ინტენსიფიკაცია, თბ., 1977; ჯაში ი., სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია, გამოც. მე-2, თბ., 1963; Мировое сельское хозяйство, 3 изд., М., 1970; Проблемы развития сельского хозяйства социалистических стран Европы, М., 1973; Сельское хозяйство капиталистических и развивающихся стран, М., 1973.

პ. ჟღენტი, ო. ქიშველაშვილი.

სოფლის მეურნეობის გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფიის დარგი, რ-იც შეისწავლის სოფლის მეურნეობის განლაგებას, მის ფაქტორებსა და კანონზომიერებებს, სოფ. მეურნ. განლაგება მჭიდროდ უკავშირდება გეოგრ. გარემოს, კერძოდ, ბუნების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა რელიეფი, ნიადაგი, ჰავა. სას.-სამ. წარმოების ძირითადი საუშალებაა მიწა, რ-ის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები დიდ გავლენას ახდენს სას.-სამ. კულტურების გაურცელებაზე, ურთიერთშეთანაწყობასა და მთლიანად დარგის მიმართულებაზე. ამავე დროს სას.-სამ. წარმოების განვითარებისა და განლაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ძალების მიღწეულ დონესა და ქვეყნის სოც.-ეკონ. წყობის ხასიათს. ამასთან დაკავშირებით სას.-სამ. წარმოების განლაგების კანონზომიერებანი სოციალ. და კაპიტალ. ქვეყნებში განსხვავებულია.

ს. მ. გ-ის მთავარი მიზანია: სოფ. მეურნ. ადგილის დადგენა ერთიან სამეურნეო კომპლექსში, სპეციალიზაციის დარგების განლაგების, სივრცობრივი მასშტაბებისა და განვითარების დონის განსაზღვრა, ტიპური სას.-სამ. რ-ნების გამოყოფა, სას.-სამ. გამოყენების მიწების კლასიფიკაცია და კარტოგრაფირება, დარგთა განლაგების ფაქტორებისა და ეკონ. ეფექტიანობის შესწავლა. ბუნებრივი გარემოს გავლენა სოფ. მეურნ. განვითარებაზე გამოიხატება მიღებული მოსავლის ოდენობაში ფართობის ერთეულზე და შრომისა და მატერ. რესურსების დანახარჯებში პროდუქციის ერთეულზე. საბოლოოდ ეს მონაცემები და წარმოების ტექ. აღჭურვილობა განსაზღვრავს სოფ. მეურნ. ძირითად ეკონ. მაჩვენებლებს, მის ეფექტიანობას. ს. მ. გ-თვის მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ადამიანის ზემოქმედების შედეგად მიწა გარკვეულ ცვლილებას განიცდის, უმჯობესდება ნიადაგის ნაყოფიერება და მაღლდება სას.-სამ. კულტურების მოსავლიანობა. სოფ. მეურნ. დარგების განლაგებისას გასათვალისწინებელია ტერიტორიის მდებარეობა პროდუქციის მოხმარების ცენტრების მიმართ. ანგარიშგასაწევია აგრეთვე მუშახელის არსებობა, მისი კვალიფიკაცია და საწარმოო ჩვევები.

ს. მ. გ-ის კვლევის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ პროგრამის მოთხოვნებს ბუნებრივ-ეკონ. პირობების გათვალისწინებით სას.-სამ. წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული განლაგების შესახებ.

კვლევის პროცესში ს. მ. გ. ფართოდ იყენებს მისი მომიჯნავე საბუნებისმეტყველო, აგრონ., ტექ. და ეკონ. მეცნ. მონაცემებს. კვლევის ერთ-ერთი მეთოდია ექსპედიციების მოწყობა სას.-სამ. წარმოების ტერიტ. განლაგების ადგილზე გაცნობის მიზნით.

ლიტ.: საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1, თბ., 1970; საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემები, ტ. 1—3, თბ., 1960; Никитников А. Н., География сельского хозяйства, М., 1970.

ჯ. ჯაოშვი

სოფლის მეურნეობის ეკონომ სსრკ-ში, ეკონომიკური მეცნიერ რ-იც შეისწავლის სოფლის მეურნეო როგორც სოფლის სამეურნეო პროდუ ბის მწარმოებელ კომპლექსურ და აღმოცენდა წვრილგლეხური მეურნე ბის მსხვილ სოციალ. კოლექტ. მეურნ ებად გარდაქმნის პერიოდში. ს. მ. შეისწავლის სოფ. მეურნ. წარმოე კვლავწარმოებისა და დაგროვების თ სებურებებს, მის ინტენსიფიკაციას, ციალ. სოფ. მეურნ. სისტემას მთლიან მისი კვლევის ობიექტია მიწა, როგ სოფ. მეურნ. მთავარი წარმოების სა ლება, და მისი რაციონალურად გამ ნების გზები, მ. შ. სსრკ მიწების დები, მათი კლასიფიკაცია და სტრუ რა; მატერ.-ტექ. ბაზა და ტექ. პროგ სოფ. მეურნეობაში, ძირითადი და სა ნავი ფონდები; შრომა და მისი ნაყო რება; სოფ. მეურნ. წარმოების გაა ლება და სპეციალიზაცია; თვითღ ბულება, ფასი და ფასწარმოქმნა; მეურნ. პროდუქციის რეალიზაცია და საქონლო-ფულადი ურთიერთობის ლი; სამეურნეო ანგარიში და სხვ. გ იყოფა მიწათმოქმედების ეკონომიკა მეცხოველეობის ეკონომიკა, რ-იც მო საკვებწარმოებას. ს. მ. ე-ის შესწავ სპეციფ. საკითხია სოფ. მეურნ. ინდ რიალიზაცია, მისი სამრეწვ. საფუძ ზე გადაყვანა. სოფ. მეურნ. ეკონომი ცალკე განაკვეთად შედის სას.-სამ. წარმოთა (კოლ-ბებისა და საბჭ. მ ნეობების, კოლმეურნეობათაშორისი წარმოების, აგროსამრეწვ. კომპლექს სა და სხვ.) ორგანიზაცია.

ს. მ. ე-ის პრობლემები შეისწავლ აგრონ. მეცნიერებასთან მჭიდრო კავ ში, აგროტექ., ნიადაგმცოდნეობის, ლიორ. და ქიმიზაციის, აგრობიოლ., ნეტიკისა და ზოოტექ. მოთხოვნათა ს. ძველზე. ს. მ. ე. იკვლევს მიწის ე შეფასებისა და სოფ. მეურნ. პროდუქ ზე ფასების სისტემების დიფერენცი ისა და სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონ. ნაში განლაგებულ სას.-სამ. საწარმ საქმიანობის პირობების გამოთანაბრ პრობლემებს. ს. მ. ე-ის ძირითად დ ლებებს ამუშავებენ ს. მ. ე-ის სამე კვლ. ინ-ტებსა და უმაღლეს სასწავ ლებში, სსრკ-ისა და მოკავშირე რეს ლიკების მეცნ. აკადემიების აგრონ. ბებსა და სექტორებში, აგრეთვე მა შემავალ სამეცნ. კვლ. ინ-ტებში.

1959 ჩამოყალიბდა საქ. სსრ ს. მ ისა და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ტი, რ-იც მუშაობს ს. მ. ე-ის თეორ და პრაქტიკის აქტუალურ საკითხ და კოორდინაციას უწევს ამ პროფი სამეცნ.-კვლ. მუშაობას რესპუბლიკ

ს. მ. ე-ის ცენტრ. ბეჭდვითი გამ მებია გაზ. „სელსკაია ჟიზნი" და ჟუ ლი „ეკონომიკა სელსკოგო ხოზაიისტ საქართველოში — გაზ. „სოფლის ც რება" და ჟურნალი „საქართველოს ლის მეურნეობა".

კ. ბურ

სოფლის მეურნეობის კავკასი საზოგადოება, იხ. *კავკასიის სოფ მეურნეობის საზოგადოება.*

სოფლის მეურნეობის კოლექტ ზაცია სსრ კავშირში, წ ლი გლეხური მეურნეობის გარდა მსხვილ საზოგადოებრივ-სოციალ ტურ მეურნეობად კოოპერირების გ ოქტ. რევ. ძმედეგ მიწის ნაცი ლიზაციის შედეგად რუს. გლეხ უსასყიდლოდ მიიღო 150 მლნ. ჰა მხოლოდ მემამულეთა მიწების გ სვლა გლეხების ხელში საკმარისი იყო. „გამოსავალი, — წერდა ვ. ი. ლ ნი, — მხოლოდ მიწის საზოგადოებ დამუშავებაა. კომუნები, საარტელო მუშავება, გლეხთა ამხანაგობანი, აი,

არის ხსნა წვრილი მეურნეობის არახელსაყრელობისაგან, აი, რა არის მეურნეობის ამაღლებისა და გამარჯვების, ძალთა ეკონომიისა და კულაკობის, მუქთახორებისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 23, გვ. 201—202). ლენინის ამ მითითების საფუძველზე უკვე სამოქალაქო ომის წლებში გაიშალა დიდი მოძრაობა რუსეთში სამიწათმოქმედო კოლექტ. მეურნეობების შესაქმნელად. მარტო 1918 რუსეთში ჩამოყალიბდა 342 კომუნა. 1924 კომუნების რიცხვმა 1673 მიაღწია, სას.-სამ. არტელებისამ — 7814, მიწის ერთობლივად დამმუშ. ამხანაგობისამ—4362. 1925 სსრკ-ში სას.-სამ. კოოპერატივების რიცხვმა 35000 მიაღწია (წევრთა რაოდენობა — 5364 ათ.), 1927 წ. 1 ოქტ-თვის სსრკ კოოპერატივებში გაერთიანებული იყო 9468,2 კაცი, სოფ. მეურნეობაში კი გლეხური მეურნეობის 32%.

საქართველოში 1921 იყო 2 კომუნა და 33 მშრომელ-მწარმოებელთა ამხანაგობა, რ-ებშიც შედიოდა 1338 კომლი და განსაზოგადოებული იყო 1475 დესეტინა მიწა. ამ კოლექტ. მეურნეობებს არ ჰქონდა მტკიცე მატერ.-ტექ. ბაზა და ზოგიერთი მათგანი სწრაფად იშლებოდა. 1926-თვის საქართველოში მათმა რიცხვმა 58-ს მიაღწია (აქედან 32 იყო მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობა, 19 — სას.-სამ. არტელი და 7 — სას.-სამ. კომუნა).

სოციალ. ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სოფ. მეურნ. სოციალისტურად გარდაქმნის პრობლემა. საბჭ. ხელისუფლებას აღარ შეეძლო დაყრდნობოდა ორ სხვადასხვა საფუძველს — ყველაზე უფრო მსხვილ და ცენტრალიზებულ სოციალ. მრეწველობასა და ჩამორჩენილ წვრილგლეხურ მეურნეობას. საჭირო გახდა წვრილგლეხური მეურნ. გადასვლა მსხვილ წარმოებაზე, რ-საც ექნებოდა შესაბამისი ახ. ტექ. ბაზა, რაც შესაძლებლობას მისცემდა სოფ. მეურნეობას განვითარების ტემპებით თანდათან დაახლოებოდა სოციალ. მრეწვ. ტემპებს. პარტიის XV ყრილობამ აიღო ს. მ. კ-ის მტკიცე კურსი; გამოიტანა დადგენილება ნებაყოფლობის საფუძველზე წვრილი ინდივიდ. გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტ. მეურნეობად გაერთიანებისა და გარდაქმნის შესახებ. კოლ-ბებმა მიიღეს დიდძალი ტექნიკა. მათ დიდად დაეხმარნენ საბჭ. მეურნეობები. ფართოდ გაიშალა მშენებლობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა, რ-თაც მანქანა-იარაღებით უნდა მოემარაგებინათ მეურნეობები. მანქანა-იარაღების სწრაფად ათვისებისა და ეფექტური გამოყენების შედეგად ცხადი გახდებოდა მსხვილი სოციალ. სოფ. მეურნეობრივი წარმოების ყოველმხრივი უპირატესობა წვრილგლეხურსა და კულაკურ მეურნეობებთან შედარებით. 1929 დიადი გარდატეხის წელია სსრკ სოფ. მეურნ. განვითარების ისტორიაში. ამ წელს კოლბებისაკენ მასობრივად დაიძრა საშ და ღარიბი გლეხობის უმრავლესობა. ამ პერიოდში სახელმწიფო კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის სსრკ უკვე გადაქცეული იყო მსოფლიოში ყველაზე მსხვილ სოფ მეურნ. ქვეყნად. ს. მ. კ-ის შედგომი გამარჯვების აქტი იყო სას.-სამ. არტელის წესდება, რ-იც დაამტკიცა 1935 თებ-ში დამკვრელ კოლ-ბათა II სრულიად საკავშ ყრილობამ უკვე 1937 კოლ-ბები აერთიანებდნენ გლეხური კომლის 93%. კოლექტივიზაცია ჩვენს ქვეყანაში ამ პერიოდისათვის დამთავრებული იყო. 1940 სსრკ-ში არსებობდა 326 900 კოლ-ბა (საქართველოში — 4266). ერთ კოლ-ბაზე მოდიოდა 79 კომლი (საქართველოში — 112). მათ ჰქონდათ 53 ათ. ტრაქტორი, 182 ათ. მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 228 ათ. სატვირთო ავტომობილი. ნათესი ფართობი ერთ კოლბაზე მოდიოდა 500 ჰა (საქ. სსრ-ში — 185 ჰა). სოციალ. სისტემის უპირატესობისა და, კერძოდ, საკოლმ. წყობილების ცხოველმყოფელობის, მკაცრი გამოცდა იყო საბჭ. კავშირის დიდი სამამულო ომი. ასრულდა ვ. ი. ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა იმის შესახებ, რომ გლეხური მეურნეობების ძველებურად არსებობა აღარ შეიძლებოდა; უნდა გაგვეთვალისწინებინა ქვეყნის არა მარტო შინაგანი, არამედ ქვეყნის საგარეო მდგომარეობაც. ამ ომში საბჭ. კავშირის გამარჯვება კანონზომიერი შედეგი იყო საზ-ბის ეკონ. და პოლიტ. ორგანიზაციის იმ უპირატესობათა გამო, რ-ებითაც ხასიათდებოდა სოციალ. წყობილება. მ. შ. საკოლმ. წყობილება. არმია და მოსახლეობა იღებდა საჭირო სურსათს, ხოლო მრეწველობა — ნედლეულს. სოციალ. სოფელმა არა მარტო გაუძლო ომის სიძნელეებს, არამედ განმტკიცდა კიდეც, მიაღწია ახ. სამეურნეო წარმატებებს. ომის შემდგომ პერიოდში პარტიამ და საბჭ. მთავრობამ მთავარი ყურადღება მიაქციეს სახ. მეურნ. ომამდელი დონის აღდგენას, შემდეგ კი მის მნიშვნელოვან გადაჭარბებას. ამ პერიოდის ერთ-ერთი კანონზომიერი მოვლენა იყო წარმოების მცირე მოცულობის მქონე კოლ-ბების გაერთიანება და მათ ბაზაზე მსხვილი, მრავალდარგიანი კოლ-ბების ჩამოყალიბება. საკოლმ. წყობილების შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა კოლმეურნეთა სრულიად საკავშ. III ყრილობამ (1969), რ-მაც მიიღო კოლ-ბის სანიმუშო წესდება. მასში ასახულია ის ძირეული სოც.-ეკონ. ცვლილებები, რ-ებიც მოხდა კოლმეურნეთა III საკავშ. ყრილობის შემდეგ. სოციალ. საკოლმ. წარმოების შემდგომი განვითარების, სოფლად საზ. ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებებისა და საკოლმ. საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლების მაჩვენებელია მეურნეობათაშორისი საწარმოებისა და გაერთიანებების რიცხვის ზრდა და აგროსამრეწვ. კომპლექსის განვითარება, რაც სოფლად სოციალ. საკუთრების ორი ფორმის — საკოლმ. და საერთო-სახ. საკუთრების — ურთიერთდაახლოებისა და შერწყმის თვისებრივად განვითარებული ფორმაა. ლენინურ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ კოოპერაცია წარმოადგენს გლეხობის სოციალ. გზაზე გადაყვანის ერთადერთ შესაძლებლობას, უდიდესი საერთაშ. მნიშვნელობა აქვს. იგი შემოწმებული და პრაქტიკულად დადასტურებულია ჩვენი და სხვა ქვეყნების საკოლმ. წყობილების განვითარებითა და განმტკიცებით. ეს გამოცდილება ხელს შეუწყობს სოფ.-მეურნ. სოციალისტურად გარდაქმნას იმ ქვეყნებშიც, რ-ებიც დაადგებიან სოციალიზმის გზას და შემოქმედებითად გამოიყენებენ ამ გამოცდილებას (იხ. აგრეთვე სტ. ვ. ი. *ლენინის კოოპერაციული გეგმა*).

ლიტ.: ენგელსი ფ., გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1964; *ლენინი ვ. ი.*, გეგმა ბროშურისა „სასურსათო გადასახადის შესახებ“, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 32; *მისივე*, კოოპერაციის შესახებ, იქვე, ტ. 33; *მისივე*, პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში, იქვე, ტ. 24; *მისივე*, პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი, იქვე, ტ. 28; *სტეფანიშვილი ა.*, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში, თბ., 1961.

ა. სტეფანიშვილი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემია, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია, სსრკ სოფლის მეურნეობის, წყალთა და სატყეო მეურნეობების უმაღლესი სამეცნ. დაწესებულება. დაარსდა 1929 მოსკოვში, ექვემდებარება სსრკ სოფ. მეურნ. სამინისტროს. აკადემიაში ამუშავებენ სსრკ სას.-სამ. მეცნ. ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის პრობლემებს. მთავარი ამოცანებია: თეორ.-კვლევითი მუშაობის განვითარება სას.-სამ. მეცნ. ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, სოფ. მეურნეობაში ტექ. პროგრესის ახ. გზების გამოვლინება, მეცნ. კვლევის მეთოდების სრულყოფა, მსოფლიო მეცნ. მიღწევების შესწავლა-განზოგადება, მეცნ. მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების სრულად გამოყენება-დანერგვა კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებში. აკად. მუშაობას ხელმძღვანელობს აკად. საერთო კრებაზე არჩეული პრეზიდიუმი. 1982 აკადემიაში იყო 1 საპატიო აკადემიკოსი, 101 აკადემიკოსი, 111 აკად. წ.-კორ., 44 უცხ. წევრი; 9 დარგობრივი (მიწათმოქმედება და სოფ. მეურნ. ქიმიზაცია, მემცენარეობა და სელექცია, მეცხოველეობა, ვეტერინარია, სოფ. მეურნ. მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ჰიდროტექ. და მელიორაცია, მეტყეობა და აგროსატყეო მელიორაცია, მცენარეთა დაცვა, სას.-სამ. წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია) და 7 რეგიონალური (სრულიად რუსეთის, დასავლეთის, ამიერკავკ., შუა აზიის, აღმოსავლეთის, ციმბ., სამხრეთის, რსფსრ-ს არაშავმიწანიადაგიანი ზონის) განყ-ბა, დაახლ. 90 სამეცნ.-კვლ. დაწესებულება, საცდელი სადგურების ფართო ქსელი, აგრეთვე ცენტრ. სამეცნ. სას.-სამ. ბ-კა; აკადემია გამოსცემს შრომებს: «Вестник сельскохозяйственной науки» (1956), «Доклады» (1936) და სხვ. თვალსაჩინო შრომებსა და აღმოჩენებზე დაწესებულია სხვადასხვა სახელობითი (კ. ტიმირიაზევის, ნ. ვავილოვის, ვ. ვილიამსის, ი. მიჩურინისა და სხვ.) მედალი. 1949 აკადემია დაჯილდოვდა ვ. ი. ლენინის, ხოლო 1979 შრომის წითელი დროშის ორდენებით.

სოფლის მეურნეობის მუზეუმი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რ-იც აგროვებს, შეისწავლის, ინახავს და პროპაგანდას უწევს სოფ. მეურნ. მატერ. და სულიერი კულტ. ძეგლებს. მუზეუმი ატარებს სამეცნ.-კვლ. მუშაობას ნიადაგმცოდნეობაში, მიკრობიოლოგიაში, მეტყეობაში, სოფ. მეურნ. და სას.-სამ. ტექ. განვითარების ისტორიაში, ავრცელებს მეცნ. და საწარმოო მიღწევებს, ბუნების დაცვის იდეებს. ს. მ. მ-ში ცოდნას იღრმავებენ სტუდენტები და მოსწავლეები. სსრკ-ში არსებობს როგორც საკავშ., ისე რესპ. დაქვემდებარების ს. მ. მ-ები. ასეთი მუზეუმებია, მაგ., აზერბაიჯანში (1924, ბაქო), ესტონეთში (1968, ტალინი) და სხვ. ბევრი ს. მ. მ. მოწყობილია უშუალოდ უმაღლეს სას.-სამ. სასწავლებელსა და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებაში, მაგ., საქართველოში ს. მ. მ. არსებობს საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1962), საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (დენდროლოგიური, რ-იც დაარსდა 1923, თსუ-ის შემადგენლობაში ყოფნისას, ნიადაგმცოდნეობის, დაარსდა 1959), საქართვ. ზოოტექ.-სავეტ. სასწ.-კვლ. ინ-ტში [სას.-სამ. ცხოველთა ანატომიისა (1934) და პათოლოგიის (1946), ზოოლოგია-ჰისტოლოგიის (1945)] და სხვ.

სოფლის მეურნეობის პრობლემების შესწავლა, სსრკ-სა და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გეგმაზომიერი უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ს. მ. პ. შ-ის სისტემის ჩამოყალიბებას თანამედროვე ფორმით წინ უძღოდა 1918—20 წლებში მოქმედი *სასურსათო გაწვრა*, რ-იც 1921 *სასურსა-*

თო გადასაბადით შეიცვალა. 1924 მოხდა გადასვლა ფულად გადასახადზე. 1928—29 წლებში გლეხურ მერნეობებსა და კოოპ. გაერთიანებებთან ხელშეკრულების საფუძველზე შემოიღეს მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების *კონტრაქტაცია*. 1932—33 წლებში იგი შეცვალა სოფ. მეურნ. პროდუქტების სავალდებულო დამზადებამ. ამავე პერიოდში შემოიღეს კოლმეურნეებისათვის შესრულებული სამუშაოს ნატურალური ანაზღაურება. 1939—41 წლებში დაინერგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარება საპექტარო პრინციპის მიხედვით. პარალელურად მოქმედებდა მნიშვნელოვანი ტექ. კულტურების შესყიდვა კონტრაქტაციის საფუძველზე. თანდათანობით ჩამოყალიბდა ს. მ. პ. შ-ის რთული სისტემა, რ-ის ფუნქციებში შედიოდა სავალდებულო დამზადება, მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურ. ანაზღაურება, კონტრაქტაცია და შესყიდვა. 1958-იდან შემოიღეს ს. მ. პ. შ-ის ერთიანი სისტემა, რ-იც ემყარება ერთიანი შესყიდვის ფასებს. სკკპ ცკ-ის 1965 მარტის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად შეიქმნა ს. მ. პ. შ-ის მყარი გეგმები, გადიდდა შესყიდვის ფასები ხორბალზე, ჭვავსა და ზოგიერთ სხვა მარცვლეულზე, შემოღებულ იქნა შესყიდვის სტაბილური ფასები, დადგინდა, რომ სახელმწ. შესყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სას.-სამ. საწარმოებისათვის მიეცათ 50% დანამატი შესყიდვის ფასზე და ა. შ.; 1970-იდან გადიდდა შესყიდვის ფასები მეცხოველეობის ძირითად პროდუქტებზე და სხვ.

სსრკ-ში სისტემატურად იზრდება ს. მ. პ. შ-ის მოცულობა. მაგ., 1940 სახელმწიფოს მიეყიდა 36 446 ათ. ტ მარცვლეული, 1979 კი — 62 834 ტ; შაქრის ჭარხალი 1940 დამზადდა 17 357 ათ. ტ, ხოლო 1982 — 64 148 ათ. ტ; მზესუმზირა 1940 წ. — 1500 ათ. ტ, 1982 კი — 4177 ათ. ტ; კარტოფილი შესაბამის პერიოდში — 8 642 ათ. ტ, და 15680 ათ. ტ; ბოსტნეული — 2970 ათ. ტ და 19 440 ათ. ტ; ყურძენი — 306 ათ. ტ და 6 704 ათ. ტ და ა. შ. სახელმწიფოს მიერ მთლიანად შეისყიდება ბამბა-ნედლეული, შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა, კარტოფილი (73%), ბოსტნეული (92%), პირუტყვი და ფრინველი (97%), რძე (97%) მატყლი (81%).

საქ. სსრ-ში 1940 სახელმწიფომ შეისყიდა 34,7 ათ. ტ მარცვლეული, 1983 კი— 132,3 ათ. ტ; შაქრის ჭარხალი შესაბამის პერიოდში — 70,7 და 100,4; მზესუმზირა— 2,7 და 7,2; თამბაქო — 11,8 და 16,7; კარტოფილი — 19,0 და 104,9; ბოსტნეული — 22,9 და 383,1; ციტრუსები — 23,3 და 344,8; ყურძენი — 35,5 და 360,2; ჩაის ფოთოლი — 51,3 და 555,9; ცხოველი და ფრინველი (ცოცხალი მასა) — 20,7 და 156,5; რძე — 23,8 და 292,4 ათ. ტ; კვერცხი (მლნ. ც.) — 13,7 და 560,5 და სხვ. ამასთან, სახელმწიფოს მიერ მთლიანად შეისყიდება მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა და ტუნგის ნაყოფი, ეთერზეთოვანი კულტურები (27%), კარტოფილი (79); ბოსტნეული (78,2), რძე (92,3), კვერცხი (92,3%) და ა. შ.

ს. მ. პ. შ-ის გეგმების სტაბილურობა, სახელმწ. შესყიდვის ფასების სტიმულირების ზრდა და ა. შ. ხელს უწყობს სოფ. მეურნ. პროდუქციის წარმოების შემდგომ ზრდას. *ჯ. კაბნიაშვილი.*

სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდები, სოფლის მეურნეობის წარმოებითი ფონდები, სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ადამიანის შრომით შექმნილი *წარმოების საშუალებები*. ს. მ. წ. შ-ის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია *მიწას*, როგორც ძირითად წარმოების საშუალებას და შრომის საყოველთაო საგანს. 1982 წ. 1 ნოემბრისათვის საბჭ. კავშირში სას.-სამ. საწარმოებისა და მეურნეობების სარგებლობაში იყო 1052,2 მლნ. ჰა ფართობი. სოციალიზმის პირობებში მიწას არა აქვს საქონლის ფორმა, ამიტომ იგი შეტანილი არ არის წარმოებითი ფონდების ღირებულებაში. ს. მ. ს. წ. იყოფა *ძირითად ფონდებად* და *საბრუნავ ფონდებად*. სას.-სამ. დანიშნულების წარმოების ძირითად ფონდებში შედის წარმოებითი შენობები, ნაგებობანი, ტექნიკა, მოწყობილობა, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, სატრანსპორტო საშუალებები, მრავალწლიანი ნარგავები და ა. შ.; ხოლო არასას.-სამ. დანიშნულების წარმოებითი ძირითადი ფონდების ძირითადი ელემენტებია სამრეწვ. გადამუშავების საწარმოს ძირითადი ფონდები, კომბინირებული საკვების ქ-ნები, სამშ. ორგანიზაციები და სხვ.; სოფ. მეურნ. საბრუნავი ფონდები შედგება წარმოებითი მარაგისაგან (თესლი, პირუტყვის საკვები, სასუქი და სხვა მატერ. რესურსები), დაუმთავრებელი წარმოებისაგან (დანახარჯი მომავალი წლის მოსავალზე), პირუტყვის მოზარდეული და გასუქებაზე მყოფი პირუტყვი.

ს. მ. ს. წ-ის შექმნის ძირითადი წყაროებია სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების *კაპიტალური დაბანდება*, ამორტიზაციის ფონდი და *კრედიტი*. სოფლის მეურნეობაში წარმოებითი ფონდების კვლავწარმოებაში გადახლართულია ეკონ. და ბუნებრივი ფაქტორები. ზოგიერთი ძირითადი ფონდის (მრავალწლიანი ნარგავები, პირუტყვი და სხვ.) მატება დამოკიდებულია როგორც მეურნეობის ეკონ. რესურსებზე, ისე მათი მოყვანის, გამოზრდის ვადაზე. მართალია წარმოების ეკონ. ფაქტორები (ტექ. პროგრესი, ირიგაცია, მელიორაცია და ა. შ.) ანელებენ ან სპობენ წარმოების პროცესში ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედების უარყოფით შედეგებს, მაგრამ „... არის მიწათმოქმედების თავისებურებანი, რომელთა თავიდან აშორება აბსოლუტურად შეუძლებელია... ამ თავისებურებათა გამო მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას მიწათმოქმედებაში არასოდეს არ ექნება ყველა ის ნიშანი, რაც მას მრეწველობაში მოეპოვება" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 5, გვ. 170).

სოფლის მეურნეობაში წარმოებითი ფონდების წრებრუნვის თავისებურებაა ისიც, რომ მოხმარებული წარმოების საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება თვით საწარმოს შიგნით საქონელმიმოქცევის ფორმის გაუვლელად, ე. ი. მათი აღდგენა ხდება უშუალოდ ნატურალური ფორმით (მაგ., საქონლის ფორმირება საკუთარი მოზარდი პირუტყვის ხარჯზე, თესვა — საკუთარი თესლის ხარჯზე და ა. შ.). წარმოების პროცესზე ბუნებრივი ფაქტორების გავლენა განაპირობებს ს. მ. ს. წ-ის შედარებით ნელ ბრუნვადობას. ს. მ. ს. წ-ის კლავწარმოებაზე არსებით გავლენას ახდენს *წარმოების სეზონურობა*, რის გამოც სას.-სამ. ტექნიკა არათანაბრად არის დატვირთული.

საქ. სსრ-ში სას.-სამ. საკარგულების ფართობი 3245,7 ათ. ჰა-ია (მთლიანი მიწის ფართობი — 7 273,1 ათ. ჰა), აქედან სახნავი — 7680, ხოლო სანთები და საძოვარი — 2106,5 ათ. ჰა. სას.-სამ. საკარგულების დაახლ. ნახევარი კოლმეურნეობების სარგებლობაშია (1983 ჭ.). რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წარმოებითი ძირითადი ფონდებისა და მატერ. საბრუნავი საშუალების ღირებულება შეადგენს 4263,6 მლნ. მან. (საბალანსო ღირებულებით ცვეთის გარეშე). აქედან კოლ.-ბის წილად მოდის 1470,1 მლნ. მან. მეურნეობათაშორისი სას.-სამ. საწარმოების წილად — 3432 მლნ.; *საბჭ.* მეურნეობის წილად — 2450,5 მლნ. მან. ს. მ. ს. წ-ს შორის უმთავრესია **წარმოებითი** ძირითადი ფონდები, რ-თა **სტრუქტურაში** ჭარბობს შენობები, ნაგებობები და გადამცემი მოწყობილობები (1.489 391 ათ. მან.) და მრავალწლიანი ნარგავები (1232,7 მლნ. მან.). იხ. ცხრილი 1.

საქართველოში სწრაფად იზრდება სოფ. მეურნ. ძირითადი ფონდები, მაგ., 1983 წ. 1965-თან შედარებით იგი გაიზარდა 427%-ით, ხოლო 1975-თან შედარებით — 158%-ით, რაც იწვევს შრომის ფონდაღჭურვილობისა და ფონდშეიარაღების ზრდას. პარალელურად მიმდინარეობს სოფ. მეურნ. ელექტრიფიკაცია. 1940 რესპ. სოფლის მეურნეობაში მოხმარებული იყო 12,7 მლნ. *კვტ/სთ*. ელექტროენერგია, 1983 კი 1 103,9 მლნ. *კვტ/სთ*. აქედან წარმოების მიზნით — 720,1 მლნ. *კვტ/სთ*. 1983 წ. საქ. სსრ-ში სოფ. მეურნ. ენერგეტ. სიმძლავრემ შეადგინა 920 ათ. *ცხ. ძ*.; ერთ მუშაკზე 8,3 *ცხ. ძ*. (XV ადგილი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის), ხოლო 100 ჰა სათეს ფართობზე — 773 *ცხ. ძ*. (I ადგილი). ს. მ. ს. წ-ის მოცულობა იზრდება აგრეთვე აფხ. ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრ. ოსეთის ა. ო-ში.

ჯ. კაბნიაშვილი.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფოთვითორგანიზაციული რეგულირება, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რ-ის მიზანია *ფინანსური ოლიგარქიის* აგრარული პოლიტიკის განხორციელება. ს. მ. ს.-მ. რ-ის განვითარების უშუალო მიზეზია *აგრარულ ურთიერთობათა* გამწვავება *კაპიტალიზმის საერთო კრიზისის* ეპოქაში. სოფ. მეურნ. ეკონ. ცხოვრებაში ბურჟ. სახელმწიფოს ფართო მასშტაბით ჩარევა დაკავშირებული იყო მსოფლიო ეკონ. კრიზისთან (1929—33), რ-მაც მოიცვა სოფ. მეურნეობაც. თანამედროვე კაპიტალ. საზ-ბაში ეკონ. და სოც. წინააღმდეგობათა გამწვავება განაპირობებს აგრობიზნესის სფეროში სახელმწიფოს ეკონ. აქტივიზაციას. სახელმწიფო ზოგჯერ იძულებულია შეზღუდოს ცალკეული მონოპოლიის საქმიანობა, გაატაროს ზოგიერთი ღონისძიება წვრილი აგრ. ბურჟუაზიის სასარგებლოდ (ანტიტრესტული

სას.-სამ. წარმოებითი ძირითადი ფონდების სტრუქტურა (საბალანსო ღირებულება; ცვეთის გამოქვითვის გარეშე: %-ით ჯამთან)

	1960	1965	1970	1975	1980	1882
სას.-სამ. წარმოებითი ძირითადი ფონდები	100	100	100	100	100	100
მათ შორის:						
შენობა, ნაგებობა, გადამცემი მოწყობილობა	32,0	31,9	44,9	52,0	53,9	55,0
მანქანები და მოწყობილობები	4,1	6,1	6,1	8,5	6,6	6,9
სატრანსპორტო საშუალებები	2,1	2,3	1,8	1,7	1,8	1,8
მუშა პირუტყვი	3,3	2,4	1,1	0,7	0,4	0,4
პროდუქტული პირუტყვი	7,9	7,6	5,2	4,6	4,9	4,7
მრავალწლიანი ნარგავები	46,5	47,0	38,4	31,9	30,4	29,1
სხვა ძირითადი ფონდები	2,1	2,7	2,8	2,6	2,0	2,1

ანონმდებლობა; ფერმერული კოოპერა-ციებისა და პარტნიორებისადმი მხარდა-ჭერა, საგადასახადო შეღავათი და სხვ.). ახელმწიფო ყიდულობს სას.-სამ. პრო-დუქციას და მომსახურებას, კრებს და ვრცელებს აუცილებელ ინფორმაციას, ზორციელებს კონტროლს საქონლის ხა-რისხზე, ფინანს. და სამეურნეო რეგული-ებებას და ა. შ. ს. მ. ს.-მ. რ-ის ფორმები და მეთოდები ცალკეული ქვეყნების მი-ედვით განსხვავებულია. ამ განსხვავებას ანაპირობებს კაპიტალიზმის განვითა-ების დონე სოფ. მეურნეობაში, მსხვილ-კაპიტალ. წარმოების ხვ. წ. სას.-სამ. არმოებაში, სას.-სამ. კოოპ. განვითარება და სას.-სამ. პროდუქციის დარგების მონო-ოლიზაციის ხარისხი, სოც. კონფლიქტე-ის სიმწვავე, დარგის ტექ. შეიარაღების ანახლების აუცილებლობა, საგარეო ვა-რობის მდგომარეობა და ა. შ.

ს. მ. ს-მ. რ-ის ღონისძიებათა განსა-ორციელებლად განვითარებულ კაპი-ალ. ქვეყნებში ძალიან დიდი სახსრები ამოიყოფა. აშშ-ში 1977-იდან მოქმედებს ს. სას.-სამ. კანონი, რ-იც სას.-სამ. პრო-დუქციის შეფარდებითი ჭარბწარმოების აცილებლად ითვალისწინებს: 1. სათესი ართობის შემცირებას პროგრამას: 2. ახელმწიფოს მიერ რეკომენდებულ ფა-ებსა და მინ. ფასების გადიდებას 1977 ოლოსა და 1978-თვის. ხოლო 1979—81 ლებში ფასების დაწესებას ბაზრის დგომარეობისა და წარმოების ხარჯების ესაბამისად (მარცვლეულზე ფასების და-ემის შემთხვევაში სახელმწიფო მოახ-ენს კომპენსაციას რეკომენდებულ ფასამ-ე); 3. ბაზრის „განტვირთვის" მიზნით მარცვლეულის სტრატეგიული რეზერვის" ექმნას; ახ. კანონის დასაფინანსებლად ამოიყო 6 მლრდ. დოლარი. მთავრობის არჯი აგრ. პოლიტიკის განსახორციე-ებლად შეადგენს დაახლ. 12 მლრდ. დო-არს. ამჟამად აშშ-ის სოფ. მეურნეო-აში ინვენტირებული კაპიტალი აღ-ვს 100 მლრდ. დოლარს (1978). საფ-ანგეთში 1960 და 1962 წლებში მიიღეს რი კანონი, რ-ებშიც გათვალისწინებუ-ია სას.-სამ. წარმოების სტრუქტურული ვლილების განხორციელება, წარმოების რგანიზაციის გაუმჯობესება, მეცხოველე-ების ალმავლობა, ჩამორჩენილი სასოფ-ო რ-ნების განვითარება. სოფ. მეურნ. ტრუქტურული ცვლილების პოლიტიკა თვალისწინებდა სოფლიდან სამუშაო ძა-ის დენადობის წახალისებას, განთავი-ფლებული მიწის ნაკვეთების გადანაწი-ებას მეურნ. გასამსხვილებლად (ჯერმა-ე საშუალოდ 30 ჰა). წარმოების ორგა-ზაციის სრულყოფა ითვალისწინებდა გრილი ფერმების გაერთიანებას საწარ-ო ჯგუფებად, რ-ებსაც სახელმწიფო ძლევდა ფინანს. შეღავათებს. 1960 მი-ებული კანონი ადგენდა კონტრაქტის ირულ ფორმას საწარმოო ჯგუფებსა და ს.-სამ. პროდუქციის შემსყიდველ ფირ-ებს შორის.

ს. მ. ს.-მ. რ. არ ეხება წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალ. საკუთ-ების საფუძვლებს, ვერ სპობს კაპიტალ. გრ. ურთიერთობისათვის დამახასიათე-ელ წინააღმდეგობებს, ამის დადასტურე-ა ომის შემდგომი აგრ. კრიზისები და ლეხთა მასობრივი გაჩანაგების პროცესი ანვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში.

ჯ. კახნიაშვილი.

ოფლის მეურნეობის სოციალისტუ-ი გარდაქმნა, სოციალისტური წარ-ებითი ურთიერთობის ჩამოყალიბება ოფლად, იგი ითვალისწინებს, ერთი ხრივ, მსხვილი სახელმწ. სას.-სამ. სა-არმოების შექმნას, მეორე მხრივ, წვრი-ი გლეხური მეურნეობების თანდათანო-ით გაერთიანებას მსხვილ კოლექტ. მე-რნეობად. ს. მ. ს. გ. განხორციელდა *ენინის კოოპერაციული გეგმის* შესაბა-ისად.

ს. მ. ს. გ-ის შედეგად სსრკ-ში შეიქმნა მსოფლიოში უმსხვილესი სას.-სამ. საწარმოები (იხ. *სოფლის მეურნეობა*).

ს. მ. ს. გ-ისა და პარტიის აგრ. პოლიტ. განხორციელების შედეგად გაიზარდა სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის წარმოება. მან 1982 წ. 127 მლრდ. მან. შეადგინა (1973 შესადარ ფასებში).

ს. მ. ს. გ-ის პროცესი წარმატებით განხორციელდა საქართველოშიც. აქ პირველი კოლექტ. მეურნეობა და საბჭ. მეურნეობები 1921 შეიქმნა. უკანასკნელ წლებში ფართოდ ვრცელდება მეურნეობათაშორისი საწარმოები და ორგანიზაციები, რ-თა რიცხვმა 1982 წ. 360-ს მიაღწია.

სოციალიზმის მშენებლობის საერთაშ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გლეხური მეურნ. კოოპერირება სოფლად წვრილსასაქონლო წყობის სოციალისტურად გარდაქმნის ყველაზე მისაღები გზაა გლეხობისათვის. ს. მ. ს. გ-ის ორი მეთოდი (მსხვილი საკუთრების ექსპროპრიაცია და გლეხური მეურნ. კოოპერირება) ერთიმეორეს ავსებს. სოფლის მეურნეობაში სახელმწ. და კოოპ. ფაქტორების არსებული თანაფარდობა ადასტურებს სოფლად სოციალ. მშენებლობის ორივე მეთოდის გამოყენების ისტ. აუცილებლობას (იხ. აგრეთვე *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია*).

პ. ქლენტი. ო. ქეშელაშვილი.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, რ-იც შეისწავლის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების რაოდენობრივ მხარეს მათ თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში. ს. მ. ს. სოციალ. სას.-სამეურნეო საწარმოთა მართვისა და გეგმიანი გაძღოლის უმნიშვნელოვანესი იარაღია.

ს. მ. ს-ის ძირითადი ამოცანაა სოფ. მეურნ. მდგომარეობის დამახასიათებელი სტატისტ. მონაცემების შეკრება, დამუშავება და გაანალიზება, დაწესებული გეგმების შესრულების უზრუნველყოფა.

ს. მ. ს-ის მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ ითვლება კოლ-ბების, საბჭ. მეურნ. და სხვა სახელმწ. სას.-სამ. საწარმოთა პერიოდული ანგარიშგება და წლ. ანგარიშები (ბალანსები). ს. მ. ს. ფართოდ იყენებს ერთდროულ აღწერებსა და შერჩევითს გამოკვლევებს.

ს. მ. ს. სწრაფად ვითარდება ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) წევრ ქვეყნებში. ეუს-თან არსებულ სტატისტ. მუდმივ კომისიას შემუშავებული აქვს ს. მ. ს-ის ერთიანი მეთოდოლოგია, რ-საც სავალდებულო წესით იყენებს საბჭოში შემავალი ყველა ქვეყანა. ეუს წევრ-ქვეყნების სოფ. მეურნ. განვითარების დამახასიათებელი მონაცემები 1972-იდან ყოველწლიურად ქვეყნდება.

ს. მ. ს-ს იყენებენ კაპიტალ. ქვეყნები, შესაბამისი მონაცემები ქვეყნდება სტატისტ. კრებულებში, წელიწდეულებში, სპეც. ჟურნალებში და სხვ.

გაერთ. ერების ორგანიზაციასთან არსებული სასურსათო და სას.-სამ. ორგანოები სპეც. ცნობების საშუალებით ს. მ. ს-ის მონაცემებს აქვეყნებენ ცალკეული ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

კ. ელიზბარაშვილი.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, ქიმიური ნივთიერებების (ნაწარმის) გამოყენება სას.-სამ. წარმოების ტექნოლოგიის პროცესებში. ითვალისწინებს სოფ. მეურნეობაში *მინერალური სასუქების* გამოყენებას, მავნებლებ-დაავადებებისაგან მცენარეთა და ცხოველთა ქიმ. დაცვას (იხ. *პესტიციდები*). მეცხოველეობაში ქიმ. პროდუქტების, ხოლო მელიორაციაში პოლიმერული და სხვა ქიმ. მასალის გამოყენებას. მინერ. სასუქი მცენარის კვების პირდაპირი წყაროა, იგი ზრდის მოსავლიანობას და აუმჯობესებს სას.-სამ. პროდუქციის ხარისხს (მაგ., მარცვალში იზრდება ცილის შემცველობა და უმჯობესდება ამინმჟავური შედგენილობა). მინერ. სასუქს განეკუთვნება ავრეთვე კირი, თაბაშირი და სხვ., რ-ებიც აუმჯობესებენ ნიადაგის მთელ რიგ თვისებებს, რეაქციასა და სტრუქტურას. წარმატებით იყენებენ მცენარის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების ქიმ. რეგულატორებს, მაგ., ბამბის, მზესუმზირასა და სხვ.

კულტურების მომწიფების დასაჩქარებლად ხმარობენ დესიკანტებსა და დეფოლიანტებს. მეცხოველეობაში ფართოდ იყენებენ საკვებ ფოსფატებს, კარბამიდს, საკვებ მიკრობიოლ. ცილებს, ვიტამინებს, ქიმ. პრეპარატებით ხდება ცხოველთა ვეტ.-სანიტ. დამუშავება. ს. მ. ქ. საშუალებას იძლევა გავზარდოთ პროდუქცია და გავაუმჯობესოთ წარმოების აგროეკონ. მაჩვენებლები — შევამციროთ შრომითი დანახარჯები, გავზარდოთ წმინდა შემოსავალი და ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობა. სოფ. მეურნეობაში ფართოდ იყენებენ პოლიმერულ მასალებს სათბურებისა და კვალსათბურების, მარცვლის დროებითი სათავსოების, სარწყავი და დამშრობი სისტემებისა და წყალსაცავების მშენებლობაში და სხვ.

ს. მ. ქ-ს საფუძველი ჩაეყარა XIX ს. II ნახევარში, როცა შემუშავდა მცენარეთა მინერ. კვების თეორია და დაიწყო სამრეწვ. მინერ. სასუქების წარმოება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ქიმ. მელიორაციას — მჟავე ნიადაგების გაკირიანებას და ბიცობი ნიადაგების გათაბაშირიანებას. ქიმ. სასუქების მასობრივი გამოყენება მთავარ როლს თამაშობს მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მაგ., საქართველოში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა მინერ. სასუქის სისტემატურ გამოყენებამდე შეადგენდა 600—800 *კგ*-ს ჰა-ზე, ხოლო ამჟამად 8—10 ათ. *კგ*-ს აჭარბებს. დიდი სამამულო ომის შემდეგ განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მინერ. სასუქების წარმოება, მაგ., სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად მრეწველობამ X ხუთწლედის ბოლოსთვის აწარმოა 150—155 *მ* მინერ. სასუქი, აქედან 115 მლნ. *ტ* მოხმარდა სოფ. მეურნეობას.


ს. მ. ქ-ის ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია მეცნ.-ტექ. პროგრესთან, მაგ., ნიშანდებული ატომების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ახლებურად შეგვესწავლა მცენარის მინერ. კვების მთელი რიგი საკითხები: ფესვგარეშე კვება (მიწისზედა ნაწილებზე სასუქის ხსნარის მოსხურება), გრანულირებული სასუქის მნიშვნელობა და სხვ. მცენარეთა ფიზიოლ. შემდგომმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა გამოგვეყენებინა ზრდის სტიმულატორები, რ-ებიც აჩქარებენ მცენარის ზრდას, განაპირობებენ უხვ მოსავალს და აუმჯობესებენ მის ხარისხს. ჰერბიციდების გამოყენებამ გააიაფა და გააადვილა სარეველებთან ბრძოლა, ხოლო სას.-სამ. მცენარეთა მავნებლებ-დაავადებათა წინააღმდეგ ქიმ. ღონისძიებების გამოყენება ამჟამად მემცენარეობის ტექნოლ. განუყოფელი ნაწილია.

ლიტ.: აბესაძე გ., სასუქების რაციონალური გამოყენება მევენახეობაში, თბ., 1978; Державин Л. М., Прогрессивные формы агрохимического обслуживания, М., 1980; Смирнов П. М., Муравин Э. А., Агрохимия, М., 1977; Химизация сельского хозяйства. Словарь-справочник, 2 изд., М., 1968.

გ. აბესაძე.

„სოფლის მუშა", ქართული პოპულარული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი სოც.-დემოკრ. მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1917. სულ 14 ნომერი გამოვიდა. რედ.-გამომცემელი — ს. პართენაშვილი (ი. ირემაშვილი).

„სოფლის მუშა", ქართული ყოველკვირეული გაზეთი. საქართვ. სოც.-დემოკრ.



სოფოკლე.



იაპონური სოფორა: ა—აყვავებული ტოტი; ბ—ნაყოფი.



ვ. სოფრონოვი.

მუშათა პარტიის ცკ-ის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1920. სულ 15 ნომერი გამოვიდა. რედ.—ი. გომართელი. აშუქებდა სოც. და პოლიტ. საკითხებს.

სოფლის საბჭო, სოფსაბჭო, იხ. სტ. *სახალხო დეპუტატების საბჭოები.*

„სოფლის ცხოვრება“, ქართული ყოველდღიური გაზეთი. საქ. კპ ცკ-ის ორგანო. დაარსდა 1921 წ. 27 დეკ. გამოდის თბილისში. მისი წინამორბედი გაზეთებია „მიწის მუშა“ (1921—24), „*ახალი სოფელი*“ (1925—30), „*კოლექტივიზაცია*“ (1930—35). 1960-იდან გამოდის „ს. ც-ის“ სახელწოდებით. აშუქებს სკკპ აგრ. პოლიტიკის, საქართვ. მრავალდარგოვანი სოფ. მეურნ. წარმოების პრობლემებს, მიწის ფონდებისა და ტექ. რაციონალურად გამოყენების, სახელმწ. და შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოფლის სოც.-კულტ. განვითარების საკითხებს. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ მეცნ. და სოფ. მეურნ. პრაქტიკოსი მუშაკები, საზ. კორესპონდენტები. „ს. ც.“ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და სიგელებით. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ პ. საყვარელიძე, ნ. მუშიშვილი, ა. ჭყონია; 1960-იდან — მ. დავითაშვილი. ტირაჟი — 424 ათ. ცალი. *მ. დავითაშვილი.*

სოფოკლე (Sophoclēs) (ძვ. წ. 497/496, კოლონოსი, — 406, ათენი), ძვ. ბერძენი დრამატურგი. წარმოშობით შეძლებული ფენიდან იყო. მიიღო გიმნასტური და მუს. განათლება. დრამატურგიაში გაიწაფა ესქილეს ხელმძღვანელობით. 480 სალამინის გამარჯვების ზეიმზე 16 წლის ჭაბუკი მეთაურობდა ყრმათა გუნდს; მონაწილეობდა პოლიტ. ცხოვრებაში; დაახლოებული იყო ათენის სახელმწ. თავკაცთან — პერიკლესთან. 443 ეჭირა ატიკის საზღვაო კავშირის ხაზინადრის თანამდებობა, 441 იყო სტრატეგოსი; 420 აირჩიეს ასკლეპიოსის კულტის ქურუმთავრად; სიკვდილის შემდეგ წმინდა ადგილის „გმირად“ შერაცხეს და თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაებას.

ს-ს შემოქმედება ბერძნ. ტრაგედიის განვითარების ახ. საფეხურია. დრამატურგიაში მან შეიტანა რამდენიმე არსებითი სახის სიახლე: ადრინდ. 2 მსახიობის ნაცვლად გამოიყვანა 3 და ამით გაზარდა მოქმედების როლი; გუნდის წევრთა რიცხვი 12-იდან 51-მდე აიყვანა და შეასუსტა მისი შინაარსობრივი მხარე. უარყო ტრაგიკულ აგონში (შეჯიბრებაში) ტეტრალოგიებით (ტრაგიკული ტრილოგიითა და 1 სატირული დრამით) მონაწილეობის ტრადიცია და დაწესა ცალკეულ ტრაგედიათა სიუჟეტური დამოუკიდებლობა; გაამარტივა ტრაგედიის ენა. ს-ს შეუთხზავს 123 დრამა, მონაწილეობა მიუღია ტრაგიკოს პოეტთა 30 აგონში და მოუპოვებია 24 პირველი ჯილდო; პირველი გამარჯვებისათვის 468 მიუღწევია ჭკვილესთან შეჯიბრებაში. ს-ს მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია შვიდმა ტრაგედიამ: „აიანტი“, „ანტიგონე“ (441), „ტრაქინელი ქალები“, „ოიდიპოს მეფე“ (დაახლ. 425), „ელექტრა“, „ფილოქტეტე“ (409), „ოიდიპოსი კოლონოსში“ (დაიდგა 401); დანარჩენი თხზულებებიდან გადარჩენილია ფრაგმენტები და სათაურები. გარდა ამისა, ეგვ. პაპირუსებში აღმოჩნდა მოზრდილი ნაწყვეტები 2 სატირული დრამისა („კვალის მაძიებელი“, „ინაქე“) და ერთი ტრაგედიისა („ევრიპილე“). ტრაგედიათა სიუჟეტები აღებულია მითებიდან. მითი ს-ს ტრაგედიების გარეგნული სამოსელია, რ-შიც პოეტი თანადროულ შინაარსს დებდა. მას თავისი სოც.-პოლიტ. იდეალებით ზომიერი დემოკრ. პოზიცია ეკავა; ათენის სახელმწიფოს ძლევამოსილების დროს ს. სავსებით იზიარებდა პერიკლეს მიმართულებას და თეატრის სცენიდან მაშინდელი საზ-ბის მოწინავე იდეებს ქადაგებდა. ეპოქის ცენტრ. პრობლემა იყო ადამიანი, მისი დამოკიდებულება რელიგ., სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კოლექტივისადმი. ხელოვნ. და ლიტ-რის მთავარი მიზანია შექმნას იდეალური სახე სრულყოფილი ადამიანის — მოქალაქისა, რ-შიც ჰარმონიულადაა შეხამებული ზნეობრივ-სულიერი სიწმინდე და სათნოება, სიდიადე და სილამაზე, ხასიათის სიმტკიცე და უბრალოება. ამ კომპონენტთა ერთიანობით იქმნება კალოკაგათია — იმდროინდელი ფილოს. და მწერლობის უმაღლესი იდეალი. ს. თავისი შემოქმედებით ამ იდეალს ემსახურებოდა. მისი ტრაგედიების მთავარი გმირი არის კალოკაგათიის განსახიერება — სრულყოფილი, მტკიცე ხასიათის, უკომპრომისო პიროვნება. ს-მ შექმნა „ხასიათის ტრაგედია“, რ-ის გმირები ისწრაფვიან სრულყოფისაკენ („აიანტი“, „ფილოქტეტე“, „ელექტრა“). სიყვარულის ტრაგედიის გმირია ნაზი და სათნო დეიანირა („ტრაქინელი ქალები“). ს-ს იდეები ყველაზე მკვეთრად გამოიხატა ტრაგედიებში „ანტიგონე“ და „ოიდიპოს მეფე“. „ანტიგონე“ კომპოზიციის თვალსაზრისით მიჩნეულია სანიმუშო ტრაგედიად, მასში დასმულია ავტორის თანამედროვეობის აქტუალური საკითხი— ძვ. ტრად. რელიგ. მორალისა და ახ. მორალის ურთიერთდაპირისპირება. „ოიდიპოს მეფე“ გამოცნობის ტრაგედიაა. მასში ყურადღება კონცენტრირებულია მთავარი გმირის — თებეს მეფის ოიდიპოსის ხასიათის წარმოჩენაზე. აქ ს-მ ბედისწერის გარდუვალობას დაუპირისპირა ფიზიკურად დაძლეული, მაგრამ სულიერად ამაღლებული და გაუტეხელი პიროვნება.

ს-მ მსოფლიო პოეზიაში დაიმკვიდრა მონუმ. სახეთა უბადლო შემქმნელისა და დრამატურგიული კომპოზიციის უდიდესი ოსტატის სახელი. მისი ტრაგედიების სიუჟეტი მრავალი მწერლის შთაგონების წყაროდ იქცა (კორნელი, რასინი, ვოლტერი, ჰ. ჰოფმანსთალი, ჟ. კოქტო, ჟ. ჟიროდუ, ჟ. ანუი, ბ. ბრეხტი). საქართველოში ადრევე დაინტერესდნენ ს-ს დრამატურგიით. ქართ. დრამის თეატრმა 1912 დადგა „ანტიგონე“, 1913 — „ოიდიპოს მეფე“. ჩვენს დროში „ოიდიპოს მეფე“ დადგეს რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკად. თეატრმა (1956, რეჟ. დ. ალექსიძე), მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრმა (1978, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, თ. მესხი) და ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრმა.

თხზ.: Tragédies, t. 1—3, P., 1955—60; ტრაგედიები („ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“), თბ., 1971; [კრ-ში] ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე პ., თარგმანები. ბერძენი დრამატული ავტორები, თბ., 1962; ელადის მუზა, თბ., 1963.

ლიტ.: ურ უ შ ა ძ ე ნ., სოფოკლე ქართულ სცენაზე, თბ., 1961; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950; წ ე რ ე თ ე ლ ი გრ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1935. *ა. ურუშაძე.*

სოფორა (Sophora), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი (იშვიათად მარადმწვანე) ხეები და ბუჩქებია, ზოგჯერ —მრავალწლოვანი ბალახი. 20-მდე (სხვა მონაცემებით 70-მდე) სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპ. და სუბტროპ., იშვიათად ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში (შუა აზია, დას. ციმბირი, კავკასია) ბუნებრივად იზრდება ს-ს 5 სახეობა. სსრკ სამხრ-ით ფართოდ არის მოშენებული იაპონური ს. (S. japonica); იგი გაშლილვარჯიანი ხეა, რ-ის სიმაღლე 10—15 *მ* აღწევს, საშობაოლოში (ჩინეთი და იაპონია) — 25—30 *მ*. აქვს მტევნებად ან საგველად შეკრებილი მოყვითალო-თეთრი ყვავილები. დეკორ. და თაფლოვანი მცენარეა. კარგად ხართობს თბილისში.

სოფრონ პალესტინელი, პაგიოგრაფი და პოეტი. *იოანე მოსხის* მოწაფე და თანამგზავრი. იერუსალიმის პატრიარქი (634—644). 637 ორი წლის ალყით დაუ ლურებული იერუსალიმი ხელშეკრულებით გადასცა ხალიფა უმარს. ს. პ. საინტერე სოდ აღწერდა ქრისტიანი (განსაკუთრებით ეგვიპტელი) წმინდანების მოწამეობრი ცხოვრებასა და სასწაულებს. ამტკიცებდა რომ მკურნალობაშიც კი ჰიპოკრატესა გალენოსის თეორიაზე იმარჯვებს რწმენა მისი წერილი მონერგიზმისა (ღმერთი ერთობუნებოვნება) და ქალკედონის სარწმუ ნოების შეუთავსებლობის შესახებ კანო ნიზებულ იქნა VI საეკლ. კრების მიერ ს. პ-ს დიდად აფასებდნენ *მაქსიმე აღმს რებელი* და *იოანე დამასკელი.*

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნ ლი ლიტერატურის ისტორია, ტ. 3 — ბიზან ტიური პერიოდის ლიტერატურის ისტორი გამოც. მე-2, თბ., 1973; K r u m b a c h e K., Geschichte der byzantinischen Literatu 2. Aufl., Münch., 1897. *გ. თევზაძ*

სოფრონი (Söphrōn) ძვ. წ. V ს. ბერძ ნი კომედიოგრაფი; მიაწერენ ხალხ. შ მოქმედებიდან აღებული მიმოსის სალი ჟანრად ჩამოყალიბებას. ს-ის მიმოსე დაწერილი იყო რიტმული პროზით დ რიულ დიალექტზე და მცირე მოცულობ საყოფაცხოვრებო კომედიის სახე ჰქონდ მოღწეულია მხოლოდ ნაწყვეტები.

სოფრონოვი ანატოლი ვლადიმერის [დ. 6 (19). I. 1911, მინსკი], რუსი საბ მწერალი, დრამატურგი. სკკპ წევრი 194 იდან. ფურნ. „ოგონიოკის“ მთავარი რ დაქტორი (1953-იდან). ს-ს ეკუთვნ პოეტური კრებულები („მზიანი დღეები 1934; „ვაციწვერა“, 1944; „მე თქვენ მ ყვარხართ“, 1962; „ეს იყო ომში“, 1972 პიესები („ერთ ქალაქში“, 1946; დაიდ მოსკ. მოსსოვეტის სახ. თეატრშ 1948, სსრკ სახელმწ. პრემია, 1948; „მო კოვური ხასიათი“, 1948, დაიდგა მცირ თეატრში, 1949, სსრკ სახელმწ. პრემი 1949; „ფული“, 1954; „გაუფრთხილდი ცოცხალ ვაჟიშვილებს“, 1963;„ ლაბირი თი“, 1968; „მემკვიდრეობა“, 1970), ნარ ვევები და სხვ. დაჯილდოებულია 2 ლენ ნის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენითა მედლებით.

სოფრონოვი ვასილი იაკობის ძე [(30). I. 1884, პეტერბურგი, — 10. 1960, ლენინგრადი], რუსი საბჭ. მსახ ობი. სსრკ სახ. არტისტი (1956). 1907 10 სწავლობდა ლიტ.-სამხატვრო საზ-ბა თან არსებულ თეატრში. 1918 მონაწილ ობდა პეტროგრ. დიდი დრამ. თეატრ შექმნაში (ახლანდ. ლენინგრ. მ. გორკ სახ. დიდი დრამ. თეატრი). როლები: დ მინგო, შპიგელბერგი (შილერის „დ კარლოსი“, „ყაჩაღები“), მასხარა, რ ჩარდ III (შექსპირის „მეფე ლირი „რიჩარდ III“), ლენინი (პოგოდინ „თოფიანი კაცი“), კოშკინი (ტრენიოვ „ლიუბოვ იაროვაია“), გოდუნი ბერსენევი (ლავრენიოვის „რღვევა“ სუსლოვი (გორკის „მოაგარაკენი“) სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1951 დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მე ლებით.

სოლანელული, ისტორიულად სოფელი თ ლისის შემოგარენში, ახლანდ. *ფონი* ლა — ქალაქის შემადგენელი ნაწილი. ხელწ. „ს.“ თურქულია, ნიშნავს სახახ თუ სახახვეთს. ს-ის ძვ. ქართ. სახელწ დებაა „გზისკარი“ და „ჟურყუთა“. 176 72 აქ მეფე ერეკლე II-მ ციხე-გალავა ააგო. აქვე იდგა ეკლესია.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., ძველი თბილის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

თ. ბერი

სოლდგბილი, შუა საუკუნეების თბილ სის ერთ-ერთი გარეუბანი ქალაქის აღ ით., მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს (ლანდ. 26 კომისრის სახ. რ-ნში), *აგლ რის* ტერიტორიაზე. „ს.“ ამ ადგილს შემდეგ ეწოდა, რაც აქ VI ს-ში ირანულ ეთნიკური ჯგუფის — სოლდებ ს —მოსახლ ობა გაჩნდა. არსებობს მოსაზრება, რ

ს." ნაწარმოებია ქართ. სიტყვისაგან საგოდებელი" (სასაფლაო). ს. წყაროებში პირველად მოხსენიებულია X ს-ში (იხ. აგრეთვე სტ. *ისანი, მეტეხი*).

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის არეულბნების ისტორია, თბ., 1977.

თ. ბერიძე.

სოლდელები, სოლდები, აღმ. ირანის ძვ. ხალხები შუა აზიასა და ყაზახეთში. სახლობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულში სოლდის ტერიტორიაზე; თანამედროვე ხალჯიკებისა და უზბეკების ერთ-ერთი წინაპრები.

სოლდი, სოგდიანე (ბერძნ. Sogdianē), ისტორიული მხარე ზარაფშანისა და კაშკადარიის აუზებში, თანამედროვე უზბ. სსრ და ტაჯ. სსრ ტერიტორიაზე. ძვ. წ. VI—IV სს-ში შედიოდა *აქემენიდთა სახელმწიფოში*. ძვ. წ. 329—328 ს-ის მოსახლეობამ შედგარი წინააღმდეგობა გაუწია ალექსანდრე მაკედონელს. ამ პერიოდში ს. შედიოდა *სელევკიდების სახელმწიფოში*, ხოლო ძვ. წ. II ს-იდან — *ბერძნულ-ბაქტრიულ სამეფოში*, ახ. წ. I ს-იდან კი — *ქუშანის სახელმწიფოში*. IV—V სს. მიჯნაზე ს. დაიპყრეს ფტალიტებმა, VI—VII სს-ში — *თურქთა ხაკანატის*, VIII ს. დასასრ. VIII ს. დამლევს დაიპყრეს არაბებმა.

IV—VIII სს-ში ს-ის ტერიტორიაზე არსებობდა მრავალი ავტონ. სამთავრო, ქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სარყანდის, რ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმოსავლეთის ეკონ. და კულტ. ცხოვრებაში.

ძვ. ს-ის ხელოვნება სუსტადაა შესწავლილი. არქიტექტურაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს აფრასიაბის (ძვ. წ. I თასწლ. II ნახ.— ახ. წ. I ს.), ყიზილ-ქირგანა და თალი-ბარზუს (ორივე ახ. წ. I ს.) ალაზის შენობები და საფორტიფიკაციო ნაგებობანი. სახვ. ხელოვნ. ნიმუშებიდან ცნობილია ტერაკოტის მცირე პლასტიკა (ძვ. წ. III—I სს.). ტერაკოტის ცალკეული ნაწარმები ელინისტური მხატვრული პრინციპების ნიშნებს ატარებს, გვხვდება აგრეთვე ადგილ. ტრადიციების მხატვრული გამუშავება; ისინი გამოირჩევიან ეთნ. ნიშნების ზუსტი გადმოცემით. V—VIII სს-ში მიმდინარეობს ქ-ებისა და ციტადელების, სასახლეების, ტაძრების, მონუმ., ოქროვერ 2-ჯ სართულიანი, სახლების შენებლობა. ქალაქის მაღალი წრის წარმომადგენელთა სახლებს რთავდნენ კედლის მხატვრობით, მხატვრული კვეთის თიხაზე, ხეზე. ალებასტრზე) ნიმუშებით. ანდაკებაში ჭარბობს მონუმ.-დეკორ. რელიეფი. ამ პერიოდის დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. მნიშვნელოვანი დარგები ჭერამიკა, ვერცხლის ნაკეთობანი, მხატვრული ქსოვილი) ავლენენ კავშირს ძვ. ურქ. ტომების, ირან., ინდ., ჩინ., ბიზანტ. ხელოვნებასთან.

ლიტ.: Ставиский Б. Я., Искусство Средней Азии. Древний период, М., 1974.

სოლდური ენა, ინდოირანულ ენათა ჯგუფის აღმოსავლურ ირანული ქვეჯგუფის ენა. გავრცელებული იყო სოლდში (თანამედროვე ზარაფშანის ველზე); ჩვენამდე მოაღწია ამ ენაზე დაწერილმა დოკუმენტებმა (ძვ. წ. I ს. ბოლო — ახ. წ. IX ს.) ჩინ. თურქესტანიდან და მდინარმა არქივმა მუღის მთიდან (თანამედროვე ტაჯ. სსრ-ში), გვხვდება წარწერები ჭურჭელზე და სხვ. დამწერლობაში გამოყენებული იყო არაბ. და სოგდური ანბანი.

ლიტ.: Лившиц В. А., Кауфман К. В., Дьяконов И. М., О древней согдийской письменности Бухары, «Вестник древней истории», 1954, № 1; Согдийский сборник, Л., 1934.

სოლდური ლიტერატურა, ჩვენამდე მოღწეული სოლდური ლიტ. ძეგლები. შესრულებულია 3 დამწერლობით: ქრისტ. ძეგლები — სირიული შრიფტით, მანიქეური—მანიქეურით, ხოლო ბუდისტური—ე. წ. ეროვნ. სოლდური დამწერლობით (უიღურულის მსგავსი არამეულის სახესხვაობა). ეს ძეგლები შემონახულია შესაბამისი რელიგ. ლიტ-რიდან სოლდური თარგმანების სახით. რელიგ. ხასიათის ლიტ-რიდან სასაუბრო სტილით და საყოფაცხოვრებო ლექსიკით გამოირჩევა დუნხუანის დას-ით საგუშაგო კოშკში ნაპოვნი „ძველი სოლდური წერილები" (IV ს. დასაწყ.) და საკუთრივ სოლდის ტერიტორიაზე, სამარყანდიდან 120 *კმ*-ზე აღმოჩენილი „მუღის არქივი" (სოლდის უკანასკნელი მეფის დივაშთიჩის მიმოწერა, ბრძანებები, სამეურნეო საბუთები, შესრულებული ტყავზე, ჩინურ ქაღალდსა და ხეზე). სოლდურ ენაზე არსებულ ლიტ. ფრაგმენტებში შემონახულმა სიუჟეტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ლიტ. სიუჟეტების განვითარებაში, რ-ებიც შემდგომ სპარს.-ტაჯ. ლიტ-რის საუნჯეში შევიდა. მაგ., ერთ-ერთმა სოლდურმა ფრაგმენტმა შემოინახა ეპიზოდი დევებთან როსტომის ბრძოლისა, ხოლო მანიქეელურ ფრაგმენტებში დაცულია რამდენიმე არაკი „ქილილა და დამანადან", აპოკრიფული „გიგანტების წიგნის" ვარიანტი (ენოქის წიგნის გადამუშავება).

ლიტ.: Бертельс Е. Э., История персидско-таджикской литературы, М., 1960, с. 67—72; Гафуров Б. Г., Таджики. Древнейшая, древняя и средневековая история, М., 1972; Розенберг Ф. А., Согдийские старые письма, «Известия АН СССР. Отделение общественных наук», 1932, № 5; Согдийские документы с горы Муг, в. 2. Юридические документы и письма. Чтение, перевод и комментарий В. А. Лившица, М., 1962; Согдийский сборник, Л., 1934.

სოლუთლო, სოფელი დმანისის რ-ნში (ყარაბულახის სოფსაბჭო), ჯავახეთის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1590 *მ*, დმანისიდან 18 *კმ*. ეგრისის მეცხოველეობის საბჭ. მეურნ.-კომპლექსი. საშ. სკოლა სოფ. ზემოყარაბულახში (7 *კმ*).

სოჩავა ვიქტორ ბორისის ძე [7 (20). VI. 1905, სოფ. პარგოლოვო, ახლანდ. ლენინგრ. ოლქი, — 29. XII. 1978, ლენინგრადი], საბჭ. გეობოტანიკოსი და გეოგრაფი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1968). დაამთავრა ლენინგრ. სას.-სამ. ინ-ტი (1924). 1931—36 და 1943—64 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ბოტანიკის ინ-ტში, 1935—38 — არქტიკის ინ-ტში. 1938—58 ასწავლიდა ლენინგრ. სახელმწ. უნ-ტში (1944-იდან პროფესორი), 1939—50 — ლენინგრ. პედ. ინ-ტში. 1959-იდან იყო სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის ციმბ. და შორეული აღმოსავლეთის გეოგრ. ინ-ტის (ირკუტსკი) დირექტორი. მისი მთავარი შრომები ეხება ლანდშაფტებისა და მცენარეულობის კლასიფიკაციას, ბუნებრივ დარაიონებას, გეოსისტემებს, ტაიგის შესწავლისა და ათვისების პრობლემებს. ს-მ დაამუშავა გეობოტან. კარტირებისა და რუკათა კლასიფიკაციის მთავარი თეორ. დებულებანი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Геотопология как раздел учения о геосистемах, წგნ.: Топологические аспекты учения о геосистемах, Новосиб., 1974; Растительность лесной зоны, წგნ.: Животный мир СССР, т. 4, М.—Л., 1953; Теоретические положения топологии степных геосистем, წგნ.: Топология степных геосистем, Л., 1970.

ლიტ.: Академик Виктор Борисович Сочава. Библиографич. указатель трудов, Иркутск, 1975.

სოჩხეთი, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ნაქერალის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., წყნორი, ძმუისი). ზ. დ. 560 *მ*, ტყიბულიდან 12 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მესიმინდეობა). რვაწლ. სკოლა, 2 ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

„სოციალ-დემოკრატ", ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა. რუს. ენაზე. გამოდიოდა ჟენევაში 1890—92, გამოსცემდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი. გამოვიდა 4 წიგნი (I, II, III წიგნი — 1890, IV — 1892). თანამშრომლობდნენ გ. პლეხანოვი, პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა რუს. ლიტ-რასა და საზ. ცხოვრებას. დაბეჭდილია გ. პლეხანოვის სტატიები: „ნ. გ. ჩერნიშევსკი", „ჩვენი ხალხოსანი ბელეტრისტები. ს. კარონინი", „1890 წ. 1 მაისი" და სხვ., ფ. ენგელსის სტატიების თარგმანი, მასალა კ. მარქსისა და ა. რუგეს მიმოწერიდან (1843) და სხვ.

„სოციალ-დემოკრატ", რუსული არალეგალური გაზეთი, რსდმპ ორგანო; რსდმპ სრულიად რუს. VI (პრაღა, 1912) კონფერენციის შემდეგ— ბოლშევიკების ცენტრ. ორგანო. დაარსდა რსდმპ V ყრილობის (1907) გადაწყვეტილებით. I ნომერი გამოვიდა 1908 იან-ში, მაგრამ თითქმის მთელი ტირაჟი ხელთ ჩაუგდო პოლიციას, რამაც განაპირობა გაზეთის შემდგომი გამოცემა პარიზში (1909—13, გამოვიდა № 2—32), შემდეგ— ჟენევაში (1914—17, № 33—58). სულ გამოვიდა 58 ნომერი. 1916 გამოუშვეს გაზეთის დამატება «Бюллетень „Социал-демократа"» (2 ნომერი). რედკოლეგიაში შედიოდნენ ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლ. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები. 1911 რედაქცია დატოვეს მენშევიკებმა თ. დანმა და ლ. მარტოვმა. ფაქტობრივი რედ—ვ. ი. ლენინი, რ-იც გაზეთის ფურცლებზე იბრძოდა ლიკვიდატორების, ოტზოვისტებისა და ტროცკისტების წინააღმდეგ ბოლშევიკური ხაზის თანმიმდევრულად გატარებისათვის, პარტიის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის. გაზეთში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატიები, პირველად დაიბეჭდა მისი ნაშრომი „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ", 1914—18 „ს. დ-მა" მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ომის, მშვიდობისა და რევ. საკითხებზე ლენინური ლოზუნგების პროპაგანდის საქმეში. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ: მაქსიმ გორკი, ა. კოლონტაი, რ. ლუქსემბურგი, ი. სტალინი, ალიოშა ჯაფარიძე, სერგო ორჯონიკიძე და სხვ.

„სოციალ-დემოკრატ", რუსული ყოველდღიური გაზეთი. რსდმპ (ბ) ცკ-ის მოსკ. საოლქო ბიუროს, საქალაქო კომიტეტის, მოგვიანებით საოკრუგო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1917 წ. 7(20) მარტიდან 1918 წ. 15 მარტამდე მოსკოვში. სულ გამოვიდა 292 ნომერი. რედაქციაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მ. ოლმინსკი, ნ. ოსინსკი, ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, ა. სოლცი, ე. იაროსლავსკი და სხვ.; გაზეთში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მრავალი სტატია, მოხსენება, დოკუმენტი, აგრეთვე რსდმპ ცკ-ის, რსდმპ (ბ) სრულიად რუს. VII (აპრ.) კონფერენციისა და VI ყრილობის რეზოლუციები და სხვ. 1918 მარტში საბჭ. მთავრობისა და პარტიის ცკ-ის პეტროგრადიდან მოსკოვში გადასვლასთან დაკავშირებით გაზ. „ს.-დ." რკპ (ბ) ცენტრ. ორგანოს „Правде" შეუერთდა.

„სოციალ-დემოკრატი", ქართული არალეგალური ჟურნალი. კავკ. ს.-დ. მუშათა ორგანიზაციების ორგანო; გამოდიოდა თბილისში 1905. გამოიცა 6 ნომერი. აშუქებდა კავკ. მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებს. „ს.-დ-ის" შემდეგ გამოიცა ლეგალური გაზეთი „ხმიერი".

„სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში", ვ. ი. ლენინის ნაწარმოები აგრ. საკითხზე, რ-შიც განვითარებულია ბოლშევიკების



ვ. სოჩავა.

აგრ. პროგრამის თეორ., ეკონ. და პოლიტ. საფუძვლები ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციაში. დაიწერა 1907 ნოემბ.-დეკ., დაიბეჭდა 1917. შესულია ლენინის თხზულებათა კრებულში (გამოც. მე-4, ტ. 13). შრომაში მოცემულია ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციაში ბოლშევიკების აგრ. პროგრამის ღრმა თეორ. დასაბუთება და მენშევიკების ანტიმარქსისტული აგრ. პროგრამის გამანადგურებელი კრიტიკა.

აგრ. პროგრამის დამუშავებისას ვ. ი. ლენინი გამოდიოდა იქიდან, რომ აგრ. საკითხი წარმოადგენდა რუს. ბურჟ. რევ. საფუძველს და ეროვნ. თავისებურებას. მიწათმფლობელობის უახლესი მონაცემების მარქსისტული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა გამოარკვია აგრ. ურთიერთობათა ეკონ. საფუძვლები, მისი დედააზრი და ნათლად გვიჩვენა, თუ რატომ იბრძოდა რუს. გლეხობა რევოლუციაში. „გლეხთა 10 მლნ. კომლს აქვს 73 მლნ. დესეტინა მიწა, ოცდარვა ათასი კეთილშობილი და გაუთლელი ღენდლორდი კი ფლობს 62 მლნ. დესეტინას. ასეთია ძირითადი ფონი იმ ასპარეზისა, რომელზეც ჩაღდება გლეხთა ბრძოლა მიწისათვის“ (იქვე, გვ. 274). ვ. ი. ლენინი გამოდიოდა იქიდან, რომ რუსეთის რევოლუციაში, როგორც გლეხურ რევოლუციაში, არსებობდა შესაძლებლობები კაპიტალიზმის აგრ. ევოლუციის ორი — „პრუსიული“ და „ამერიკული“ გზისათვის. ბოლშევიკები გადაჭრით იბრძოდნენ მეორე გზისათვის.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამა ოპორტუნისტული, რეფორმისტულია, იგი დაკავშირებულია აბსოლ. რენტის უარყოფასთან, ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების „თეორიასთან“. ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა კაპიტალიზმის პირობებში ორგვარი მონოპოლიის არსებობა, გააბათილა მენშევიკების მიერ მუნიციპალიზაციის დასაცავად წამოყენებული პოლიტ. და ტაქტიკური მოსაზრებანი, ვ. ი. ლენინმა ისტ. დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოარკვია რუს. კლასებისა და პარტიების სახე აგრ. საკითხებზე II სახელმწ. სათათბიროში გამართული კამათის მიხედვით, გლეხთა წარმომადგენლების პოზიცია ნაციონალიზაციის სასარგებლოდ. ნაშრომში დამაჯერებლად არის ნაჩვენები მიწების ნაციონალიზაცია და პოლიტ. გადატრიალებას შორის განუყრელი კავშირი. მიწის ნაციონალიზაციის ლენინური აგრ. პროგრამა ითვალისწინებდა ბურჟ.-დემოკრ. რევ. სოციალ. რევოლუციად გადაზრდის პერსპექტივას. ლენინი წერდა: „მიწის ნაციონალიზაცია არის ბურჟუაზიული რევოლუციის არა მხოლოდ „უკანასკნელი სიტყვა“, არამედ სოციალიზმისაკენ ნაბიჯის გადადგმაც“ (იქვე, გვ. 542). ლენინის ამ ნაწარმოებს უდიდესი საერთაშ. მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოღვაწეობის თანამედროვე ეტაპზე.

შ. ჯაჭუა.

„სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, ვ. ი. ლენინის ნაშრომი, რ-იც ეძღვნება 1905—07 რევოლუციაში ბოლშევიკების პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის თეორიულ დასაბუთებასა და მენშევიკური ოპორტუნისტული ტაქტიკის კრიტიკას. შესულია თხზულებათა კრებულში (გამოც. მე-4, ტ. 9). დაიწერა 1905 ივნ.-ივლ., როცა რუსეთში მიმდინარეობდა ბურჟ.-დემოკრ. რევოლუცია. პირველად გამოქვეყნდა 1905 ივლ. ჟენევაში, იმავე წელს 2-ჯერ გამოიცა რუსეთში და არალეგალურად გავრცელდა პეტერბურგში, მოსკოვში, ყაზანში, თბილისში, ბაქოსა და სხვა ქ-ებში. მრავალჯერ გამოიცა როგორც სსრკ-ში, ისე საზღვარგარეთ. წიგნში ვ. ი. ლენინმა თეორიულად დაასაბუთა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებანი რევოლუციაში ბოლშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ და გააკრიტიკა მენშევიკების კონფერენციის (მიმდინარეობდა რსდმპ III ყრილობის პარალელურად ჟენევაში) ოპორტუნისტული გადაწყვეტილებანი.

ვ. ი. ლენინმა, შემოქმედებითად განავითარა რა მარქსიზმი, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი საკითხები რუსეთში ბურჟ.-დემოკრ. რევ. ხასიათის, თავისებურებებისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ. ამ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, შეიარაღებული აჯანყების, როგორც თვითმპყრობელობის დამხობისა და გლეხობის რევ.-დემოკრ. დიქტატურისა და დროებითი რევ. მთავრობის, ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციიდან სოციალ. რევოლუციაში გადაზრდის გზების შესახებ. ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა მენშევიკების დოგმატიზმი რუს. რევ. მამოძრავებელი ძალების შეფასების საკითხში და ახლებურად დააყენა იგი. წინააღმდეგ მენშევიკების მტკიცებისა, ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ ბურჟუაზია არ შეიძლებოდა ყოფილიყო რევ. მამოძრავებელი ძალა, რომ რევ. ჰეგემონი შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ პროლეტარიატი. აქვე ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ ამ რევოლუციაში გლეხობა წარმოადგენს პროლეტარიატის ბუნებრივ მოკავშირეს; ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა რევ. ხერხები, პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ბრძოლის ფორმები და დაამტკიცა, რომ თვითმპყრობელობის დამხობის გადამწყვეტი საშუალება იყო საყოველთაო სახ. შეიარაღებული აჯანყება, რ-ის გამარჯვების შემდეგადაც უნდა დამყარებულიყო პროლეტარიატისა და გლეხობის რევ.-დემოკრ. დიქტატურა, მისი პოლიტ. ორგანო გახდებოდა დროებითი რევ. მთავრობა და განახორციელებდა დემოკრ. გარდაქმნებს. წინააღმდეგ მენშევიკებისა, ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ დროებით რევ. მთავრობაში სოციალ.-დემოკრატთა მონაწილეობა გარკვეულ პირობებში არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა, რათა დაიჭარონ დემოკრ. გარდაქმნათა სწრაფი და თანამიმდევრული განხორციელება. განავითარა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეა განუწყვეტელი რევ. შესახებ, ვ. ი. ლენინმა აღნიშნულ წიგნში და მთელ რიგ სხვა ნაშრომებში წამოაყენა და დაამუშავა ბურჟ.-დემოკრ. რევ. სოციალ. რევოლუციაში გადაზრდის თეორია. მან დაასაბუთა, რომ მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი მთელ გლეხობასთან ერთად ამხობს თვითმპყრობელობას, ახდენს დემოკრ. რევოლუციას. უღარიბეს გლეხობასთან, მოსახლეობის ნახევრად პროლეტ. ელემენტებთან ერთად იგი სპობს ბურჟუაზიის ბატონობას, ახდენს სოციალ. რევოლუციას. ამ ორ გადატრიალებას შორის არ შეიძლება იყოს ხანგრძლივი ინტერვალი: ბურჟ.-დემოკრ. რევოლუცია განსაზღვრული პირობების დროს უნდა გადაიზარდოს სოციალ. რევოლუციად. ამ გადაზრდის გადამწყვეტ პირობად ლენინს მიაჩნდა ის, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის სისტემა მთლიანად მომწიფდა სოციალიზმზე გადასასვლელად, ხოლო დამოუკიდებელ ძალად ჩამოყალიბებულ მუშათა კლასს, რ-საც თავისი პოლიტ. პარტია ჰყავს, უნარი შესწევს უხელმძღვანელოს ბურჟ.-დემოკრ. რევ. გადაზრდას სოციალ. რევოლუციაში. რევ. ლენინური თეორია, განვითარებული „ს.-დ. ო. ტ. ლ. რ-ში“, უპირისპირდება როგორც მენშევიკების ოპორტუნისტულ შეხედულებებს, ისე პარვუსისა და ტროცკის „შემარცხენე“, „პერმანენტული რევოლუციის თეორიას“ (იხ. *ტროცკიზმი*).

რევ. მოძრაობის მთელმა განვითარებამ, რუსეთში, თებ. ბურჟ.-დემოკრ. რევ. გამარჯვებამ (1917), ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ (1917) და შემდგომში სოციალიზმის წარმატებით აშენებამ სსრკ-ში დაამტკიცა რევ. ლენინური თეორიის სისწორე. იგი ძირითად დ. მთავარ საკითხში, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, თავის ახ. დადასტურებას პოულობს ჩვენი დროის დემოკრ. და სოციალ. რევოლუციებში. წიგნში „ს.-დ. ო. ტ. ლ. რ-ში“ და შემდგომ ნაშრომებში ვ. ი. ლენინის მიერ განვითარებულმა რევ. მარქსისტულმა თეორიამ შეაიარაღა ბოლშევიკების პარტია მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიითა და ტაქტიკით, აჩვენა დემოკრ. და სოციალისტებისათვის ბრძოლაში გამარჯვების გზა. ვ. ი. ლენინის წიგნს უდიდესი საერთაშ. მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი აიარაღებს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს რევ. ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწორი გაგებით. ა. *წოწკოლაური*

„სოციალ-დემოკრატიული ფურცლები“, ქართული ყოველდღიური გაზეთი, რსდმპ ქუთ. ორგანიზაციის ორგანო; გამოდიოდა ქუთაისში 1905—06. გამოიცა 1 ნომერი. I ნომერი გამოვიდა „გაფიცვის“ სახელწოდებით. რედაქტორი — გ. ლორთქიფანიძე. თანამშრომლობდნენ ი. გომარდელი, ა. კოხრეიძე, ი. ბახტაძე და სხვ.

სოციალიზაცია (ლათ. socialis — საზოგადოებრივი), საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისათვის პიროვნების მომზადების პროცესი. იგი ემყარება პიროვნების ბუნებრივი მონაცემების განვითარებასა და გათვალისწინებას. ს-ის თეორია არკვევს, თუ რა სოც. ფაქტორებ ქმნიან პიროვნების ამა თუ იმ თავისებურებას, აგრეთვე ს-ის მექანიზმსა და საშ შედეგებს.

ს-ის ბურჟ. თეორიაში არის ორი ს პირისპირო ნაკადი. ერთი მათგანი (ფრ იდიზმი) ადამიანს თვლის ბიოლ. არს ბად, რ-იც ქცევის თანდაყოლილ ფორმებ უგუებს საზ-ბაში არსებობის პირობებ მეორე ნაკადის წარმომადგენელთა ა რით კი, ს. არის ყველა ადამიანური თ სების ჩამოყალიბების პროცესი.

მარქსისტული კონცეფციის მიხედვი ს. ემყარება: ფილოგენეტურ (გვარეობ თი თვისებების შესწავლა) და ონტოგენ ტურ (პიროვნების კონკრ. ტიპის ჩამო ლიბება) თვალსაზრისს; მთლიანი პ როვნების ჩამოყალიბების პროცესის ი ტორიულობაში განხილვას; ს-ის პროც ში ყველა სოც. ურთიერთობის მონაწილ ობის ფაქტის აღიარებას; ინდივიდის შ დარებითი დამოუკიდებლობის, მისი შ მოქმედებითი აქტივობის თვალსაზრის

სოციალიზმი (ფრანგ. socialisme ლათ. socialis — საზოგადოებრივი), ს ყოველთაო-საზოგადოებრივი კეთილდღ ობის აღმნიშვნელი ცნება; პირველა იხმარეს XIX ს. 30-იან წლებში ფრან სოციალ. ლიტ-რაში, 1. მოძღვრება ს ციალისტური საზოგადოების შესახ (იხ. *მარქსიზმ-ლენინიზმი, მეცნიერ ი კომუნიზმი, უტოპიური სოციალიზმი* 2. კომუნისტური საზოგადოების პირ ლი ფაზა, რ-ის ეკონ. საფუძველია წა მოების საშუალებათა საზ. საკუთრებ პოლიტიკური კი — მშრომელთა ხელისუ ლება მუშათა კლასის ხელმძღვანელობი და მისი მარქსისტულ-ლენინური პარტი მეთაურობით. ს. ისეთი საზ. წყობილ ბაა, რ-იც გეგმიანად ვითარდება მშრ მელი ხალხის საკეთილდღეოდ და სად აღარაა ადამიანის მიერ ადამიანის ექ ლუატაცია და ჩაგვრა.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ს-ის, როგორც საზ. წყობილების, შესახ ითავითვე გამოხატავდა ჩაგრული მშრ მელი ხალხის პროტესტს მჩაგვრელთა ძა ადობისა და ექსპლუატაციის წინააღმდ მაგრამ მარქსიზმამდელი ს-ის თეორე კოსებს არ ესმოდათ საზ. განვითარებ კანონზომიერებანი და ვერ ნახულობდ

ს-ის პრაქტიკულად განმახორციელებელ საზ. ძალას. კლასობრივი ბრძოლის მაშინდელ განუვითარებელ პირობებს ს-ის უმწიფარი თეორიები შეესაბამებოდა. სოციალ. მოძღვრების სისტემური გადმოცემა პირველად სცადეს პუმანისტმა და განმახათლებელმა სოციალისტ-უტოპისტებმა (ტ. მორმა, ტ. კამპანელამ, ჯ. უინსტენლიმ XVI—XVII სს. ინგლისსა და იტალიაში; ჟ. მელიემ, გ. ბ. მაბლიმ, მორელიმ, გ. ბაბეფმა XVIII ს. საფრანგეთში). უტოპიური ს-ის იდეებს ფართოდ ავრცელებდნენ XIX ს. საფრანგეთში, კ. ა. სენ-სიმონი და შ. ფურიე; ინგლისში — რ. ოუენი; რუსეთში — ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი და სხვ.; საქართველოში — ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე. სოციალისტ-უტოპისტებმა გააკრიტიკეს კაპიტალიზმი, იწინასწარმეტყველეს ს-ის ზოგიერთი მხარე, მაგრამ ვერ დაუკავშირეს თავიანთი სოციალ. იდეალი მუშათა კლასის რევ. ბრძოლას და ვერ დაასაბუთეს ს. მეცნიერულად. უტოპიური ს. ერთ-ერთი იდეური წყარო იყო მარქსიზმის, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — მეცნ. კომუნიზმის, რ-ის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა უკუაგდეს ბურჟ. და წვრილბურჟ. ს-ის ნაირსახეობანი, გადატრიალება მოახდინეს საზ. აზროვნებაში და ს. უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს. მოძღვრება ს-ის შესახებ შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს ს-ის ყოველმხრივი მეცნ. დახასიათება, დაასაბუთეს ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვების გარდაუვალობა, ახსნეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე საზ-ბის გადასვლის კანონზომიერებანი, მოძღვრება ს-ის შესახებ მკვიდრად ვითარდება მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოღვაწეობისა და მარქსისტ-ლენინელ მეცნიერთა გამოკვლევებში.

ს. — კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ფ ა ზ ა. ს-ის მატერ. წანამძღვრები კაპიტალიზმის დროს იქმნება, მაგრამ იგი ძირეულად განსხვავდება კაპიტალიზმისაგან. მისი მშენებლობა იწყება სოციალ. რევ. განხორციელებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით. ს-ის აშენებით მთავრდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი. ისტორიაში პირველად ს. აშენდა სსრკ-ში 30-იანი წლების შუა ხანში სოციალ. ინდუსტრიალიზაციის, სოფ. მეურნ. კოოპერირების, კულტ. რევ. განხორციელების შედეგად. თეორიიდან ს. იქცა რეალურად არსებულ სოც. სისტემად, რ-იც ახლა დამკვიდრებულია ევროპის, აზიისა და ამერ. მრავალ ქვეყანაში მსოფლიო სოციალ. სისტემის სახით. გამარჯვებული ს. სპობს კერძო საკუთრებას და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, საზ. განვითარების ანტაგონისტურ წინააღმდეგობას და ძირეულად ცვლის საზ. პროგრესის მიზანსა და ხასიათს. ს-ის ძირითადი ეკონ. კანონი და მიზანია მშრომელი ხალხის მზარდ მატერ. და კულტ. მოთხოვნილებათა უფრო და უფრო სრული დაკმაყოფილება საზ. წარმოების განუწყვეტელი განვითარებისა და სრულყოფის გზით. ეს ს-ის უმთავრესი უპირატესობაა მაქს. კაპიტალ. მოგების მიღებაზე დაფუძნებულ ექსპლუატატორულ საზ-ბასთან შედარებით.

ს-ის ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ემყარება განვითარებულ მატერ.-ტექ. ბაზას, რ-იც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზ. საკუთრებაზე (იხ. *სოციალისტური საკუთრება*). ს-ის მატერ.-ტექ. ბაზას ქმნის თანამედროვე მსხვილი *მანქანური წარმოება*, რ-იც მოიცავს სახ. მეურნ. ყველა დარგს, გაერთიანებულს მეურნ. სოციალ. სისტემად. საზ. საკუთრების განუყოფელი ბატონობა სახ. მეურნ. ყველა სფეროსა და დარგში სოციალ. საზ-ბის არსებითი ნიშანია. საზ. საკუთრებასთან ერთად ს-ის დროს არსებობს მოქალაქეთა პირადი საკუთრება მოხმარების საგნებსა და წარმოების უმარტივეს საშუალებებზე. სოციალ. საზ. საკუთრებას საერთო-სახ. ან საკოლმ.-კოოპ. ფორმა აქვს. საზ. საკუთრების დამკვიდრება ქმნის საზ-ბის წევრთა სოც.-ეკონ. თანასწორობის უშნიშვნელოვანეს წინა პირობებს. თანასწორობა ს-ის დროს ნიშნავს ექსპლუატატორული კლასებისა და ექსპლუატაციის მოსპობას, საზ-ბის წევრთა თანასწორ დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებისადმი, მათი ნიჭისა და უნარის გამოყენების თანაბარ შესაძლებლობას. მაგრამ სოციალ. თანასწორობა არ იწვევს მოთხოვნილებათა გათანაბრებას და შრომის სტიმულის გაუქმებას, რადგან მოქმედებს პრინციპი „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით", რაც განაპირობებს მატერ. დაინტერესებას საკუთარი შრომის შედეგებით და პრაქტიკულად უზრუნველყოფს საზ-ბის, კოლექტივისა და ცალკეულ მუშაკთა ეკონ. ინტერესთა ერთიანობას. ს-ის ეკონ. წყობილების დამახასიათებელია განსაზღვრული სამეურნეო მექანიზმი, რ-საც ქმნის *სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის* მოქმედება, მართვის გეგმიანი სისტემა და მისი შესაბამისი მეურნეობრიობის ფორმები და მეთოდები.

ს-ის ს ო ც ი ა ლ უ რ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს საფუძველია ორი მეგობრული კლასისა (მუშათა კლასი და კოოპერირებული გლეხობა) და სახ. ინტელიგენციის კავშირი. კაპიტალიზმიდან ს-ზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოა პროლეტარიატის დიქტატურა, რ-იც ს-ის აშენების შემდეგ მისი სრული და საბოლოო გამარჯვების კვალობაზე გადაიქცევა სოციალ. საერთო-სახ. სახელმწიფოდ. სოციალ. სახელმწიფო შეიძლება იყოს ფორმით საბჭოური, ერთპარტიული ან მრავალპარტიული, წყობით — ფედერაციული ან უნიტარული (მრავალეროვანი ან ერთეროვანი). მისი სოც. საფუძველი კი ყველგან საერთოა. ს-ის დროს წარმოიშობა და ვითარდება ახ., პარმონიული, მეგობრული ურთიერთობანი კლასებსა და სოც. ჯგუფებს, ერებსა და ეროვნებებს შორის. ამასთან, მიმდინარეობს სოც.-კლასობრივ განსხვავებათა წაშლისა და ერების დაახლოების პროცესი, რის შედეგია სსრკ-ში ისეთი ახ. ისტ., სოც. და ინტერნაც. ერთობის შექმნა, როგორიცაა საბჭ. ხალხი. ს-ის პოლიტ. სტრუქტურის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სოციალ. დემოკრატია, რ-იც უზრუნველყოფს ადამიანთა პოლიტ. თავისუფლებას, ეროვნ. უფლებამოვალეობებს და საყოველთაო თანასწორობას კანონის წინაშე, აგრეთვე მათს გარანტიებს, რ-თა ძალით რეალურად ხორციელდება მთელი მშრომელი ხალხისა და თითოეული მოქალაქის ინტერესების გამომხატველი უფლებები და თავისუფლება. ს-ის სოც.-პოლიტ. სისტემაში ხელმძღვ. როლს ასრულებს მუშათა კლასი, საზ-ბის ძირითადი მწარმოებელი ძალა, ყველაზე რევ. და ორგანიზებული კლასი. სოციალ. საზ-ბის წარმმართველი ძალაა მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის ავანგარდი, მისი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა — მარქსისტულ-ლენინური პარტია, რ-იც თავის ხელმძღვ. როლს ახორციელებს საერთო-სახ. სახელმწიფოს ორგანოების, მშრომელთა პროფ. კავშირების, ახალგაზრდული და სხვა მასობრივი საზ. ორგანიზაციების მეშვეობით.

ს-ის დროს ს უ ლ ი ე რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ხასიათდება მეცნ. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის დამკვიდრებით, განათლებისა და კულტურის განვითარების მაღალი და მუდმივად მზარდი დონით, ახ. ადამიანის აღზრდაზე, მისი სოციალ. ცხოვრების წესის სრულყოფაზე ყოველმხრივი ზრუნვით. ს. აქცევს მეცნიერებასა და კულტურას ხალხის მასების კუთვნილებად. ს-ის დროს მიმდინარეობს ეროვნ. კულტურათა ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პროგრ. პროცესი, ყალიბდება და მკვიდრდება შინაარსით სოციალ., ფორმით მრავალეროვანი და სულისკვეთებით ინტერნაც. კულტურა.

ს. კაცობრიობის ისტ. შედარებით ხანგრძლივი პერიოდია და მოიცავს განვითარების რამდენიმე ეტაპს. სოციალ. ქვეყნების ისტ. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოციალ. რევ. გამარჯვებით დაწყებული გარდამავალი პერიოდის (კაპიტალიზმიდან ს-ში) ბოლოს იქმნება ს-ის ფუნდამენტი, რასაც უშუალოდ მოსდევს გარდამავალი პერიოდის დასრულება და სრული ს-ის ძირითადად აშენება. ეს არის ს-ის არსებობის საწყისი ეტაპი, როცა იგი ჯერ კიდევ არ გასცილებია ერთი ქვეყნის ფარგლებს და, მაშასადამე, საბოლოოდ გამარჯვებულადაც ვერ მიიჩნევა საერთაშ. ასპარეზზე იმპერიალ. და სოციალ. ძალთა უთანასწორო თანაფარდობის გამო. ს-ის მსოფლიო სისტემის წარმოშობისა და განმტკიცების შემდეგ საერთაშ. ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა სოციალ. ქვეყნების სასარგებლოდ იცვლება, ს. საბოლოოდ იმარჯვებს და იქმნება განვითარებული ს-ის აშენების შესაძლებლობა. პირველად განვითარებული ს. აშენდა სსრკ-ში, სადაც ამ ეტაპზე გადასვლა მოხდა 60-იანი წწ. დასაწყისში. 70-იანი წწ. შუა ხანში განვითარებული ს-ის აშენება ამოცანად დაისახეს სოციალ. თანამეგობრობის ევრ. ქვეყნებმა. განვითარებული ს-ის აშენება ნიშნავს: ეკონ. დარგში — საზ. წარმოების მასშტაბის მრავალჯერად გაზრდას, სოციალ. ურთიერთობათა უფრო მაღალ სიმწიფეს და ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას; სოც.-პოლიტ. დარგში — საზ-ბის სრული ერთგვაროვნების გაძლიერებას, ერების სრული თანასწორობის მიღწევას, სოციალ. დემოკრატიის მაღალ განვითარებას და პროლეტარიატის დიქტატურის გადაზრდას საერთო-სახ. სახელმწიფოდ; სულიერი ცხოვრების დარგში — მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყოველმხრივ დამკვიდრებას, მოსახლ. განათლებისა და კულტ. მაღალ დონეს, კულტ. ყოველმხრივ აყვავებას; საერთოდ კი — სოციალ. ცხოვრების წესის სრულყოფას.

განვითარებული ს-ის დროს მიმდინარეობს წანამძღვრებისა და პირობების თანდათანობითი მომზადება ს-ის კომუნიზმში გადაზრდისათვის, რაც გულისხმობს კომუნიზმის მატერ. ტექ. ბაზის შექმნას, სოციალ. საზ. ურთიერთობათა გარდაქმნას კომუნისტურად, ახ. ადამიანის აღზრდასა და კომუნისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კერძოდ, პროდუქტების სიუხვეს, არსებით განსხვავებათა დაძლევას ქალაქსა და სოფელს, გონებრივსა და ფიზ. შრომას შორის, სოციალ. სახელმწიფოს შეცვლას კომუნისტური თვითმმართველობით, შრომის გადაქცევას ცხოვრების საშუალებიდან პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად, პრაქტ. განხორციელებას პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით" და კომუნისტური იდეალისა: „თითოეულის განვითარება ყველას განვითარების პირობაა".

ს-ის კომუნიზმში გადაზრდა გულისხმობს აგრეთვე ბრძოლას წარსულის გადმონაშთების, თანამედროვე ბურჟ. იდეოლოგიის, კერძოდ, ს-ის ბურჟ. და ოპორ-

ტუნისტული „თეორიების“ წინააღმდეგ, რ-თა არსი, გარეგნული სხვადასხვაობის მიუხედავად, ანტისოციალ. და ანტიკომუნისტურია. ს-ის ყველა არამარქსისტული თეორიის სიყალბეს ნათლად მოწმობს რეალური ს-ის გამოცდილება, რ-იც უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს საზ-ბის განვითარებაზე.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მარქსი კ., გოთას პროგრამის კრიტიკა, მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1964; ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; ლენინი ვ. ი., სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25; მისივე, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, იქვე, ტ. 27; სკკპ პროგრამა, თბ., 1971; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981; სსრკ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1977; Черненко К. У., Избранные речи и статьи, 2 изд., М., 1984; Косолапов Р. И., Социализм. К вопросам теории, 2 изд., М., 1979; Развитое социалистическое общество: сущность, критерии зрелости, критика ревизионистских концепций, 3 изд., М., 1979; Развитой социализм, М., 1978.

მ. გაფრინდაშვილი.

სოციალიზმის ეკონომიკური კანონები, ასახავს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ფუნქციონირებისა და განვითარების ყველაზე არსებით, ტიპურ ნიშნებს.

მოცემულ წარმოების წესში მოქმედი ეკონ. კანონები ქმნიან ეკონ. კანონთა სისტემას, რ-შიც მთავარია ეკონ. ფორმაციის ძირითადი ეკონ. კანონი (იხ. *ეკონომიკური კანონები, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი*).

ეკონ. კანონების შეცნობა და გამოყენება ანტაგონისტურ საზ-ბებში კლასობრივი ხასიათისაა, სოციალიზმის დროს კი ამას მთელი საზ-ბის ინტერესებისათვის ახორციელებს მუშათა კლასი. თვით საზ-ბა ობიექტურად არის დაინტერესებული ამ კანონების მეცნ. შეცნობითა და გამოყენებით. ეკონ. კანონების შეცნობა გულისხმობს: თითოეული კანონის შინაგანი შინაარსის, მისი მოქმედების ზოგადი მიმართულებისა და რაოდენობრივი განსაზღვრულობის, მისი გამოვლენის იმანენტური ფორმების და, ამრიგად, ეკონ. განვითარებაში მოცემული ეკონ. კანონის როლის გახსნას; კანონების მოქმედების მატერ. წანამძღვრებისა და ეკონ. პირობების შესწავლას; განსაზღვრულ სოც.-ეკონ. პირობებში კანონის სპეციფ. ფორმის გამოვლენას; მოცემული ეკონ. კანონის მოთხოვნის დადგენას როგორც ზოგად, ასევე კონკრ. პირობებში; იმ ეკონ. განვითარების ობიექტ. ტენდენციის გამოვლენას, რ-იც გამოიწვევს მოცემული ეკონ. კანონის კვდომას ან მოდიფიკაციას.

მთელი საზ-ბის ინტერესებისათვის ეკონ. კანონების გამოყენება მხოლოდ სოციალიზმის დროს არის შესაძლებელი. ეკონ. კანონების გამოყენების მეცნ. საფუძვლები მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში. სოციალიზმის განვითარების პირველ ეტაპზე (20-იან წლებში) ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურისაგან განსხვავებით სოციალიზმში არ არის და არც შეიძლება იყოს ობიექტური კანონზომიერება, რომ ეკონ. კანონები მოქმედებენ მხოლოდ სტიქიურ გარემოში. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ობიექტურობისა და სტიქიურობის გაიგივება, რაც იწვევდა ეკონ. კანონების უეტიშიზაციას. 30-იან წლებში აღიარებულ იქნა ს. ე. კ-ის მოქმედება, მაგრამ გამარტივებული იყო მისი შინაარსი. ითვლებოდა, რომ ს. ე. კ. შეგნებულად იქმნება პროლეტარიატის მიერ და იგი სოციალ. სახელმწიფოს ეკონ. პოლიტ. შედეგია. ამ შემთხვევაში ეკონომისტები ამჩნევდნენ მხოლოდ ერთ მხარეს — სოციალ. სახელმწიფოს ეკონ. საქმიანობას, მაგრამ შეუმჩნეველი რჩებოდა მეორე—ეკონ. კანონების ობიექტური ხასიათი. მათი მტკიცებით, საბჭ. სახელმწიფო თავისი სურვილით „ქმნის“, „აყალიბებს“, „გარდაქმნის“, „აუქმებს“, „სპობს“ ეკონ. კანონებს. ეს იყო ეკონ. კანონებზე სუბიექტივისტურ-იდეალისტური წარმოდგენა. სინამდვილეში სოციალ. სახელმწიფოს, პარტიის ეკონ. პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთება გამომდინარეობს საზ-ბის ეკონ. განვითარების კანონებიდან. იგი აიგება საზ-ბის განვითარების ობიექტურად მოცემული ძალების (შინაგანი, გარეგანი) საღი აღრიცხვის გათვალისწინებით და ყოველთვის გამოსახავს საზ-ბის მატერ. ცხოვრების მომწიფებული მოთხოვნების აუცილებლობას. მაგ., ეკონ. განვითარების ტემპების დადგენისას ითვალისწინებენ შინაგან და საერთაშ. პირობებს. ს. ე. კ-ის ხასიათის შესახებ იდეალისტური შეხედულება ვოლუნტარიზმის იდეური საფუძველია. ამიტომ მას უარყოფს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება. სოციალიზმის დროს მოქმედებას განაგრძობს ზოგადი ეკონ. კანონები, თუმცა მათი მოქმედების ხასიათი და შედეგები სოციალიზმის დროს სხვაგვარია, რასაც განაპირობებს წარმოების საშუალებებზე სზ. საკუთრების დამყარება და „აქედან გამომდინარე, ანტაგონისტური წინააღმდეგობის არარსებობა მოცემულ წარმოების წესში. მართალია, სოციალიზმის დროსაც არსებობს წინააღმდეგობა, მაგ., წინააღმდეგობა საწარმოო ძალების ხასიათსა და წარმოებითი ურთიერთობის მიღწეულ დონეს შორის, მაგრამ იგი არაანტაგონისტურია და გეგმაზომიერად გადაიჭრება მოცემული წარმოების წესში (იხ. *ეკონომიკური რეფორმა*). ამასთან სოციალიზმის დროს მოქმედებ. ას იწყებს ახ., მანამდე უცნობი ეკონ. კანონები: *სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, შრომის მიხედვით განაწილების კანონი, სოციალისტური დავროვების კანონი* და სხვ., ს. ე. კ. გამოიყენება კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და სოციალ. სახელმწიფოს ეკონ. პოლიტიკის მეშვეობით. ეკონ. პოლიტ. რეალიზაციის კონკრ. ფორმებია სახელმწ. სამეურნეო ორგანიზაციული საქმიანობის სხვადასხვა სახე.

ლიტ. იხ. სტ-თან სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

ჯ. კაბნიაშვილი.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამეგობრობა თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფოების ხალხებისა, რ-ებიც მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით და რ-თაც აერთიანებთ საერთო ინტერესები და მიზნები, საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობა.

ს. მ. ს-ის ქვეყნებს აქვთ ერთტიპური ეკონ. საფუძველი (წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე სზ. საკუთრება), ერთტიპური სახელმწიფოებრივი წყობილება (სახ. ხელისუფლება მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური და მუშათა პარტიების — ხელმძღვანელობით), ერთიანი იდეოლოგია (მარქსიზმ-ლენინიზმი), საერთო ინტერესები (იმპერიალიზმის ხელყოფისაგან რევ. მონაპოვრის დაცვა, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლა და დახმარების გაწევა იმ ქვეყნების ხალხებისათვის, რ-ებიც იბრძვიან ეროვნ. დამოუკიდებლობისათვის), საერთო მიზანი (კომუნიზმი). ს. მ. ს-ის წარმოშობა და განვითარება საერთაშ. მუშათა რევ. და კომუნისტური მოძრაობის, სოც. განთავისუფლებისათვის მუშათა კლასის რევ. ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ობიექტური შედეგია. იგი უშუალო გაგრძელებაა დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციისა, რ-მაც დაიბადა მისცა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქას.

სსრკ-ში სოციალიზმის აშენებამ, მისმა გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში (1941—45), საბჭ. არმიის მიერ ევრ. და აზიის ხალხების განთავისუფლებამ ფაშისტი დამპყრობლებისა და იაპ. იმპერიალიზმისაგან დააჩქარა სოციალიზმის გზაზე მრავალი ქვეყნისა და ხალხის გადასვლის პირობების მომწიფება.

ცენტრ. და სამხრ.-აღმ. ევრ. (ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია) ხალხთა განმათ. მოძრაობის მძლავრი აღმავლობის, აგრეთვე კორ. და ვიეტნ. ხალხების ბრძოლის შედეგად (1944—49 წლებში) გაიმარჯვა სახ. დემოკრ. და სოციალ. რევოლუციებმა. ამ დროიდან სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და დაიწყო მსოფლიო ეკონ. და პოლიტ. სისტემად მისი გადაქცევის პროცესი. 1949 სოციალიზმის გზას დაადგა გერმ. დემოკრ. რესპუბლიკა, სოციალ. რევოლუციამ გაიმარჯვა ჩინეთში. 50—60-იანი წწ. მიჯნაზე ს. მ. ს-ში შედის 14 ქვეყანა (საერთო ფართობი 35 მლნ. კმ², ე. ი. მსოფლიოს ტერიტ. 26%, სადაც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლ. 35%-ზე მეტი).

ს. მ. ს-ის ქვეყნებმა ახ. საზ-ბის მშენებლობა დაიწყეს ეკონ. და პოლიტ. განვითარების სხვადასხვა დონეზე. ამასთან თითოეულ მათგანს თავისი სპეციფ. ისტორია და ტრადიცია ჰქონდა, რაც თავისებურ გავლენას ახდენდა სოციალიზმის მშენებლობის ფორმებზე. ს. მ. ს-ის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ახ. საზ-ბის წარმატებით აშენება შესაძლებელია სოციალიზმის მშენებლობის ზოგადი კანონზომიერების შემოქმედებითი გამოყენებით და კონკრ. პირობების გათვალისწინებით. ს. მ. ს-ის არსებობის პირობებში სოციალიზმის მშენებლობა შეუძლიათ დაიწყონ და წარმატებით განახორციელონ ისეთმა ქვეყნებმაც, რ-ებსაც არ გაუვლიათ განვითარების კაპიტალ. გზა (მაგ., მონღ. სრ). ახალგაზრდა სოციალ. ქვეყნების სახ. მეურნ. აღდგენასა და მის შემდგომ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სსრკ-ის დახმარება.

სახ. დემოკრატიის ქვეყნების სოც.-ეკონ. და პოლიტ. განვითარება დიდადაა დამოკიდებული ახ. ტიპის საერთაშ. ეკონ. თანამშრომლობის შექმნასა და განვითარებაზე. ასეთი თანამშრომლობა დამყარდა 1949 ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) შექმნით. მასში შევიდნენ ბულგარეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია, მონღ. სრ (1962), კუბა (1972), ვიეტ. სრ (1978). ევროპაში ომის საშიშროების შექმნასთან დაკავშირებით ევროპის 8 სოციალ. სახელმწიფომ 1955 ხელი მოაწერა ვარშავის ხელშეკრულებას, რ-ის მიზანია მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.

ეუს ფარგლებში ურთიერთდახმარება მეტად მრავალმხრივია. სოციალიზმის ქვეყნების სახელმწიფოებს შორის ეკონ. ურთიერთობაში ფართოდ გავრცელდა სახ. მეურნ. დარგების კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, სამრეწვ. და სხვა ობიექტების ერთობლივი მშენებლობა. ურთიერთდახმარების საბჭო იქცა თავისებურ საერთაშ. ლაბორატორიად, სადაც მუშავდება სოციალ. სახელმწიფოების ეკონ. ურთიერთობის ახ. ფორმები და მეთოდები.

ამჟამად სოციალ. ქვეყნების თანამეგობრობის პრობლემების კომპლექსში ცენტრ., განმსაზღვრელი პრობლემაა სო-

ციალ. ეკონ. ინტეგრაცია. მისი ამოცანების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეუს სესიები, სადაც სისტემატურად იხილავენ ეკონ. თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პრობლემებს. კომპლ. პროგრამაში დასახულია წარმოების, მეცნ. და ტექ., საგარეო ვაჭრობის, სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობის სფეროში თანამშრომლობისა და ინტეგრაციის განვითარების, წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირების გაღრმავებისა და გაფართოების კონკრ. გზები და ვადები, მეცნ. და ტექ. მიღწევების ურთიერთგაზიარების ამოცანები და ძირითადი მიმართულებანი.

ჩქარი ტემპით ვითარდება სოციალ. თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ეკონომიკა. ამჟამად ეს ქვეყნები ეკონ. ურთიერთობის თვალსაზრისით უფრო დინამიკურად ვითარდებიან, ვიდრე სხვა ქვეყნები მსოფლიოში. მაგ., განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში სამრეწვ. წარმოების მოცულობა კრიზისამდელ 1973 დონესთან შედარებით 1977 გაიზარდა მხოლოდ 7%-ით, ეუს წევრ-ქვეყნებში კი ამავე პერიოდში — 32%-ით. მსოფლიო სამრეწვ. წარმოებაში ეუს ქვეყნების წილი შეადგენს დაახლ. 1/3, ხოლო მთლიანად სოციალ. სახელმწიფოებში 40 %-ზე მეტს. სამრეწვ. პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეუს ქვეყნებში 3-ჯერ სჭარბობს საშ. მსოფლიო დონეს. ეუს ქვეყნების სამრეწვ. პროდუქციის მოცულობა 2-ჯერ აღემატება „საერთო ბაზრის“ ქვეყნების სამრეწვ. პროდუქციას და 1/3-ჯერ აშშ-ისას, გაიზარდა აგრეთვე სას.-სამ. წარმოება.

მომძლ ქვეყნებში ფართოდ განვითარდა უმაღლესი, საშ.-სპეც. და პროფტექ. განათლება. სავალდებულო რვაწლიან განათლებაზე გადავიდნენ ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში. ჩეხოსლოვაკიასა და გდრ-ში შემოღებულია სავალდებულო ათწლიანი განათლება. 1975/76 სასწ. წელს ეუს ქვეყნებში სწავლობდა 13 მლნ. სტუდენტი. დიდი მიღწევებია კულტ. მშენებლობაში. წლითიწლობით მატულობს წიგნებისა და ბროშურების გამოშვების ტირაჟი. 1977 მან შეადგინა: ბულგარეთში — 57, გდრ-ში — 133, პოლონეთში — 155 მლნ., სსრკ-ში — 1,8 მლრდ., ჩეხოსლოვაკიაში — 80 მლნ. ეგზემპლარი. ს. მ. ს. პირობებს ქმნის მსოფლიო რევ. პროცესის განვითარებისათვის, მსოფლიო კაპიტალ. სისტემისაგან სულ ახ. და ახ. ქვეყნების ჩამოსაცილებლად.

სოციალ. ქვეყნების თანამეგობრობა წარმოადგენს საერთაშ. კავშირის ახ., უმაღლეს ეტაპს, რ-საც ახასიათებს მასში შემავალი ქვეყნების სოც.-ეკონ. და პოლიტ. წყობილების ერთობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველისშემძლე ძოძღვრებასა და სოციალ. ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი თანამშრომლობა, თითოეული სახელმწიფოს ამხანაგური ურთიერთდახმარება, თანასწორობა და სუვერენიტეტი.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები. თბ., 1961; კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. მოსკოვი, 1969 წ. 5—17 ივნისი, თბ., 1969; სკკპ პროგრამა, თბ., 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; ჭობალია ი., სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, თბ., 1967; Маркс К., Энгельс Ф., Ленин В. И., О пролетарском интернационализме, 2 изд., М., 1968; Ленин В. И., О закономерностях возникновения и развития социализма и коммунизма. [Сборник], М., 1960; Брежнев Л. И., О внешней политике КПСС и Советского государства. Речи и статьи, М., 1973.

ს. შარიქაძე.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, სოციალისტური ეკონომიკის მოძრაობის, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ამსახველი ობიექტური კანონი. *წარმოებითი ურთიერთობის* სისტემა ყალიბდება თავისი მნიშვნელობით ერთიმეორისაგან განსხვავებული ურთიერთობებისაგან. ამიტომ ეკონ. კანონებს, რ-ებიც გამოხატავენ წარმოებითი ურთიერთობის სხვადასხვა მხარის შინაგან, არსებით, აუცილებელ კავშირებს, განსხვავებული ადგილი უკავია საზ. წარმოების სისტემაში. სოციალიზმის დროს მოქმედი ყველა ეკონ. კანონი თანაბრად ობიექტურია და გათვალისწინებულ უნდა იქნეს პარტიის, სოციალ. სახელმწიფოს ეკონ. პოლიტ. შემუშავების დროს, მაგრამ ს. ძ. ე. კ., როგორც ძირითადი წარმოებითი ურთიერთობის კანონი, განსაზღვრავს საზ. წარმოების მოძრაობის სოც.-ეკონ. მიმართულებას, მის მიზანს.

ს. ძ. ე. კ-ის პრობლემების დამუშავება საბჭ. ეკონომისტებმა დაიწყეს 20-იან წლებში, როცა ძირითად ეკონ. კანონად ერთნი მიიჩნევდნენ წარმოების საშუალებათა სოციალ. განსაზოგადოებას, მეორენი კი — „თავდაპირველ სოციალისტურ დაგროვებას“ და „შრომით დანახარჯებს“. ს. ძ. ე. კ-ის მეცნ. განსაზღვრას დიდად შეუწყო ხელი 1951—52 წწ. ეკონ. დისკუსიამ, რ-ის მსვლელობაში მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თეზისს ეკონ. კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ და ძირითადი ეკონ. კანონის ბირთვად მიიჩნია წარმოების მიზნისა და საშუალებების ერთიანობა. დისკუსიის შედეგების შეჯამების შემდეგ ი. *სტალინმა* მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე პირველმა მარქსისტულ - ლენინურ ლიტ-რაში ჩამოაყალიბა ს. ძ. ე. კ-ის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები: „მთელი საზოგადოების მუდმივად ზრდადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“ (*სტალინი ი. ბ.*, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1953, გვ. 44). მოცემულ ფორმულირებაში აღნიშნულია როგორც სოციალ. წარმოების მიზანი, ასევე ამ მიზნის მიღწევის საშუალება და მისი პრინციპული განსხვავება კაპიტალ. წარმოების მიზნისა და ამ მიზნის მიღწევის საშუალებებისაგან.

ს. ძ. ე. კ-ის სტალინისეული ფორმულირება ამ კანონის მოქმედების მექანიზმის მეცნ. ანალიზის შედეგად ნაწილობრივ შეიცვალა, კანონის არსი კი უცვლელი დარჩა. სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში ს. ძ. ე. კ-ის ფართოდ გამოყენების ნათელი მაგალითია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, რ-ებმაც განსაზღვრეს პარტიის ეკონ. სტრატეგიის უმაღლესი მიზანი: „ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, საბჭოთა ადამიანების სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე“.

ს. ძ. ე. კ-ში აისახება სოციალიზმის ეკონ. უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. ამ უპირატესობის რეალიზაციას უზრუნველყოფს საზ. წარმოების ზრდის მაღალი ტემპები. მაგ., 1951—82 ეროვნ. შემოსავლის ზრდის საშ. ტემპი სოციალისტ. ქვეყნებში შეადგენდა 6,9%, განვითარებულ კაპიტალისტ. ქვეყნებში კი—3,6%. ამავე პერიოდში მრეწვ. პროდუქციის საშ. წლიურმა მატებამ სსრკ-ში შეადგინა 8,4%, აშშ-ში კი 3,6%. ს. ძ. ე. კ-ის მოქმედება ყველაზე სრულად ვლინდება სამეცნ.-ტექ. რევ. მიღწევებისა და სოციალიზმის უპირატესობის ორგ. შეერთების შედეგად (იხ. აგრეთვე *ძირითადი ეკონომიკური კანონი, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, სოციალიზმის ეკონომიკური კანონები*).

ლიტ.: История политической экономии социализма, 2 изд., Л., 1983; Кронрод Я. А., Законы политической экономии социализма, М., 1966; Потребительная стоимость продуктов труда при социализме, М., 1978; Трифонов Д. К., Общие экономические законы, Л., 1964; Экономические проблемы строительства коммунизма, Л., 1967.

ჯ. კანწიაშვილი.

„სოციალისტიკ ყაზახსტან“ („სოციალისტური ყაზახეთი“), ყაზახეთის რესპუბლიკური გაზეთი; ყაზ. კპ ცკ-ის, ყაზ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდის ალმა-ათაში 1919-იდან კვირაში 6-ჯერ. თავდაპირველად „უშკინ“ („ნაპერწკალი“) ერქვა, შემდეგ რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება; 1937-იდან „ს. ყ.“ ჰქვია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1957). ტირაჟი 160 ათ. (1980).

„სოციალისტიჩესკაია ოსეტია“, ჩრდ. ოსეთის რესპუბლიკური გაზეთი რუსულ ენაზე; სკკპ ჩრდ. ოსეთის საოლქო კომიტეტის, ჩრდ. ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. დაარსდა 1917 აგვ. ს. კიროვის ინიციატივით. გამოდის ორჯონიკიძეში კვირაში 6-ჯერ; თავდაპირველად „კრასნოე ზნამია“ ერქვა, შემდეგ სახელწოდებები იცვლებოდა, 1937-იდან „ს. ო.“ ჰქვია. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1967). ტირაჟი 80 ათ. (1984).

„სოციალისტ-რევოლუციონერი“, ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქუთ. საგუბერნიო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა ქუთაისში 1917—18. გამოიცა 102 ნომერი. გამომცემელი — სარედაქციო კოლეგია, რ-შიც შედიოდნენ ლ. შენგელაია, ი. ნუცუბიძე, ი. გობეჩია; თანამშრომლობდნენ ვ. კაპანაძე, მ. ფაჩუაშვილი, ა. კაკაბაძე და სხვ.

სოციალისტური დაგროვება, სოციალისტური წარმოების მატერიალური საფუძვლის გაფართოება მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად (იხ. *სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი*). ს. დ-ის ობიექტური პროცესი გამომდინარეობს *სოციალისტური დაგროვების კანონიდან*. ს. დ-ის წყაროა ზედმეტი პროდუქტი, ფაქტორები კი — სამეცნ.-ტექ. პროგრესი, შრომის ნაყოფიერებისა და საზ. წარმოების ეფექტურობის ამაღლება, საწარმოთა რენტაბელობა. ს. დ-ის მაღალი ტემპის მაჩვენებელია წლიდან წლამდე ზრდადი კაპიტალდაბანდება. 1918—40 წწ. კაპიტალდაბანდებამ სსრკ სახ. მეურნეობაში შეადგინა 53,5 მლრდ. მან., მ. შ. მრეწველობაში — 18,4 მლრდ. მან. აქედან ჯგუფ „ა“-ზე — 15,1 მლრდ. მან., ხოლო ჯგუფ „ბ“-ზე — 3,3 მლრდ. მან. X ხუთწლედში კი კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 634,3 მლრდ. მან, ხოლო 1982 წ. 143,7 მლრდ. მან. აქედან მრეწველობას მოხმარდა 50,9 მლრდ. მან. (1982 წ.), თითქმის იმდენი, რამდენსაც შეადგენდა 1918—40 მთლიანი კაპიტალდაბანდება. ს. დ-ში შედის ძირითადი ფონდებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების, სახელმწ. მატერ. რეზერვების, მოსახლ. პირად დამხმარე მეურნეობაში სოფ. მეურნ. პროდუქტების მარაგის ზრდა.

სოციალისტური დაგროვების კანონი, ეკონომიკური კანონი, რ-იც ასაბავს ეროვნული შემოსავლის ნაწილის სისტე-

მატური დაგროვების აუცილებლობას წარმოების გაფართოებისა და სრულყოფისათვის. ეროვნ. შემოსავლის ზრდა იწვევს დაგროვების ფონდისა და მოხმარების ფონდის გადიდებას. 1982 დაგროვების ფონდმა შეადგინა 121 მლრდ. მან. (1973 შესადარებელ ფასებში), რაც ორჯერ და მეტად აღემატება 1965 მაჩვენებელს. მოხმარების ფონდი შეადგენს გამოყენებული ეროვნ. შემოსავლის დაახლ. 3/4-ს, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის კეთილდღეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯს საცხოვრ. და სოც.-კულტ. მშენებლობაზე, მაშინ — ეროვნ. შემოსავლის დაახლ. 4/5-ს. სოციალიზმი დაგროვების მაღალ ნორმასთან ერთად უზრუნველყოფს საზ-ბის ყველა წევრის ინდივიდ. და სახ. მოთხოვნების უფრო და უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

სოციალისტური დემოკრატიის ალიანსი (სდა), მ. ბაკუნინის მიერ 1868 სფქტ. ჟენევაში შექმნილი წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტული ორგანიზაცია. მ. ბაკუნინი ცდილობდა სდა შეეყვანა I ინტერნაციონალის შემადგენლობაში, მაგრამ უარი მიიღო (1869) და ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადა, თუმცა სდა ფაქტობრივად არსებობას განაგრძობდა. სდა-ს ჰქონდა თავისი საიდუმლო ორგანიზაციები იტალიაში, ესპანეთში, შვეიცარიასა და სამხრ. საფრანგეთში. იბრძოდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წინააღმდეგ, ცდილობდა ხელთ ეგდო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა და ინტერნაციონალის გენ. საბჭო. სდა-ს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა I ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესმა (1872), რ-მაც ბაკუნინი ინტერნაციონალიდან გარიცხა. მალე სდა დაიშალა.

სოციალისტური დუსთურის პარტია (სდპ; ჰიზბ ალ-დუსთური ალ-იშთირაქი), პოლიტიკური პარტია ტუნისში. შეიქმნა 1934 მარტში ბურჟ.-ნაციონალისტური „დუსთურის" (კონსტიტუცია) პარტიის გაყოფის შედეგად, 1964 ოქტ-მდე ეწოდებოდა „ნეოდუსთური" („ახალი დუსთური"). სდპ აქტიურად იბრძოდა ტუნისში ფრანგთა ბატონობის წინააღმდეგ. ტუნისის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1956 წ. 20 მარტი) შემდეგ გახდა მმართველი პარტია. 1961 გამოვიდა „დუსთურის სოციალიზმის" მშენებლობის იდეით, რ-იც ითვალისწინებდა ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის განვითარებას, სოფ. მეურნ. კოოპერირებას, უცხოური და ეროვნ. კერძო კაპიტალის შეზღუდვას. 1969 ქვეყნის შემდგომი განვითარების საკითხის გარშემო გაშლილი ბრძოლის გამწვავების შედეგად სდპ-მ განახორციელა ღონისძიებები, რ-თაც ქვეყანაში უცხოური და ეროვნ. კერძო კაპიტალის პოზიციების აღდგენა მოჰყვა. ეს კურსი დაადასტურა სდპ-ის VIII (1971) და IX (1974) ყრილობებმა. პარტიის ბირთვს, შეადგენენ ინტელიგენცია, წვრილი და სშ. ბურჟ. წრეების წარმომადგენლები. პარტია გავლენით სარგებლობს შეძლებულ გლეხობასა და მუშათა კლასის გარკვეულ ნაწილში. 1979 სექტ. ჩატარდა სდპ-ის X ყრილობა. 1981 აპრ-ში მოიწვიეს სდპ-ის საგანგებო ყრილობა, რ-მაც გადაწყვიტა „სოციალიზმის დემოკრატიასთან შერიგების უზრუნველყოფა" და პოლიტ. პლურალიზმის დაშვება. პარტიის მუდმივი თავ-რეა ჰაბიბ ბურგიბა, გენ. მდივანი — მოჰამედ მზალი. ბეჭდვითი ორგანოებია გაზ. „ალ-ამალი" და „აკსიონი" (L'action").

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია, სოციალისტური ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ეკონომიკური ფორმა. შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილების გაღრმავების, სოციალ. ქვეყნების ეკონ. თანამშრომლობის ვანვითარების გეგმაზომიერად რეგულირებადი პროცესი. ს. ე. ი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების ახ. ეტაპია. თვით „პრაქტიკამ მიგვიყვანა საერთო დასკვნამდე. ვიაროთ წინ სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გზით" (სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 11). *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის* მსვლელობაში *საწარმოო ძალების* განვითარების დონემ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) წევრ-ქვეყნებში იმ დონეს მიაღწია, რომ *სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის* არსებული ფორმები და მეთოდები არასაკმარისი აღმოჩნდა ამ ქვეყნების წინაშე მდგომი ახ. ეკონ. ამოცანების გადასაჭრელად. სოციალ. თანამეგობრობის ცხოვრებაში ისტ. მოვლენა იყო ეუს XXIII (სპეციალური) სესია (1969 აპრილი), სადაც შემუშავდა ეკონ. ინტეგრაციის ერთობლივი კურსი. 1971 ივლისში ეუს XXV სესიამ მიიღო „ეუს წევრ-ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამა", რ-ის განხორციელება ეტაპების მიხედვით გათვალისწინებულია 15 — 20 წლის განმავლობაში. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ეროვნ. მეურნეობების თანამედროვე მაღალეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, მომძლ სოციალ. ქვეყნების ეკონ. განვითარების დონის თანდათანობით დაახლოებასა და გათანაბრებას, მყარი კავშირის დამყარებას ეკონ. ძირითად დარგებში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სრულყოფას, ამ ქვეყნების საერთაშ. ბაზრის გაფართოებასა და განმტკიცებას. ეუს წევრ-ქვეყნების ეკონ.-ინტეგრაციული პროცესების გაფართოებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახ.-სამ. გეგმების კოორდინაცია ხანგრძლივ პერსპექტივაში — 1990 წლამდე. ეუს XXIX სესიაზე (1975) პირველად მის პრაქტიკაში დამუშავდა ამ ორგანიზაციის წევრ-ქვეყნების მრავალმხრივი ინტეგრაციული ღონისძიებების შეთანხმებული გეგმა, რ-იც 1976—80 წლებში ითვალისწინებდა 28 მსხვილი სამრეწვ. კომპლექსის ერთობლივ მშენებლობას. მათი საერთო ხარჯთაღრიცხვა დაახლ. 9 მლრდ. გადასაყვან მანეთს შეადგენს. ამ ღონისძიებების რეალიზაციამ მნიშვნელოვნად დააკმაყოფილა დაინტერესებული წევრ-ქვეყნების მოთხოვნილება ცელულოზაზე, რკინის შემცველ ნედლეულზე, ფეროშენადნობზე, ნიკელსა და სხვა პროდუქციაზე.

ს. ე. ი-ის განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ეუს ქვეყნების სამეცნ.-ტექ. ინტეგრაცია. სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო ტექნიკურმა თანამშრომლობამ განვითარების მრავალი ეტაპი განვლო. დასაწყისში იგი უპირატესად ხორციელდებოდა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და გულისხმობდა პრაქტიკულად ანაზღაურების გარეშე სამეცნ.-ტექ. დოკუმენტაციის გაცვლასა და სპეციალისტების მივლინებას სამეცნ.-ტექ. და საწარმოო გამოცდილების გასაზიარებლად. 70-იანი წწ. დასაწყისში სსრკ-მა სოციალ. ქვეყნებს გადასცა ტექ. დოკუმენტაციის, ნაწარმისა და მასალის ნიმუშების 76 ათ-ზე მეტი კომპლექტი, ხოლო მათგან მიიღო 23 ათ. კომპლექტი. სამეცნ.-ტექ. თანამშრომლობის შემდეგი ფორმა იყო საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ცენტრების შექმნა მეცნ. და ტექ. საერთო პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის მიზნით (მაგ., ბირთვული გამოკვლევის ინ-ტი, 1956). ამჟამად განვითარებულია (ან ვითარდება) თანამშრომლობის კომპლ. ფორმები, რაც შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას სამეცნ.-ტექ. და საწარმოო-სავაჭრო კოოპერ. ურთიერთდაკავშირებული პრობლემები. ფართოვდება ერთობლივი გამოკვლევის სფერო. საკმარისია ითქვას, რომ კომპლ. პროგრამის დავალებების განხორციელებაში სამეცნ.-ტექ. თანამშრომლობის სფეროში მონაწილეობს 3000 სამეცნ.-კვლ. საპროექტო-საკონსტრუქტორო კოლექტივი, უმაღლესი სასწავლებელი, მ. შ. მეცნ. აკად. 200 დაწესებულება. უმნიშვნელოვანესი სამეცნ.-ტექ. მიმართულების ხაზით შექმნილია 56 საკოორდინაციო ცენტრი. ერთობლივი მუშაობით დამთავრდა 14 ათასზე მეტი თეორ. და გამოყენებითი სამუშაო. მოკლე ვადაში შეიქმნა მესამე თაობის ელექტრონული გამომთვლელი ტექ. სისტემა. უდიდესი წარმატებებია მიღწეული „ინტერკოსმოსის" პროგრამის განხორციელებაში.

ს. ე. ი-ის გრძელვადიანი პროგრამის შესრულების მიღწეული დონე ეუს წევრ-ქვეყნების თანამშრომლობის გაცილებით მაღალ საფეხურზე აყვანის შესაძლებლობას იძლევა. დღის წესრიგში დადგა გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება იმ მიზნით, რომ ერთობლივი მეცადინეობით უზრუნველყოფილ იქნეს სწრაფად მზარდი მოთხოვნილება ენერგიაზე, სათბობზე, ძირითად ნედლეულზე, სურსათსა და ფართო მოხმარების საქონელზე და სხვ.; ეუს XXXII სესიაზე (1978) მოწონებულ იქნა თანამშრომლობის სამი გრძელვადიანი პროგრამა (ენერგიის, სათბობისა და ნედლეულისა; სოფ. მეურნ. და კვების მრეწველობისა; მანქანათმშენებლობისა). დასასრულს უახლოვდება სახ. მოხმარების სამრეწვ. წარმოების გადიდებისა და ტრანსპ. ვანვითარების თანამშრომლობის პროგრამების დამუშავება. ს. ე. ი-ის განვითარება უშუალოდ აისახება თითოეული სოციალ. ქვეყნისა და მთლიანად მეურნ. სოციალ. სისტემის ეკონ. და მეცნ.-ტექ. პოტენციალის ამაღლებაში. მაგ., თუ 1950 სოციალ. ქვეყნების წილი მსოფლიო სამრეწვ. პროდუქციაში დაახლ. 20% შეადგენდა, 1984-თვის მან გადააჭარბა 40%. ეუს წევრ-ქვეყნები აწარმოებენ მსოფლიო სამრეწვ. პროდუქციის დაახლ. 1/3, ხოლო სსრკ — 1/5. ეუს წევრ-ქვეყნების წილი მსოფლიო ეროვნ. შემოსავალში 1/4 შეადგენს. კომპლ. პროგრამის შესრულების მიმდინარეობა გასული ათწლეულის მიხედვით განხილულ იქნა ეუს XXXV სესიაზე (1981 ივლისი).

ს. ე. მ-ის წარმატებით განხორციელება ხელს უწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მატერ. ბაზის განვითარებასა და შემდგომ განმტკიცებას.

ჯ. კახნიაშვილი.

სოციალისტური ერთიანი პარტია დასავლეთ ბერლინისა (სეპდბ; Sozialistische Einheitspartei Westberlins), შეიქმნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის—დს. ბერლინის ორგანიზაციების ბაზაზე 1962 ნოემბ. პარტიულ კონფერენციაზე. სეპდბ I ყრილობაზე (1966) შეიმუშავეს პარტიის ძირითადი დოკუმენტები. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ დას. ბერლინის კომუნისტები გამოდიან „მილიონერების ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ეკონ. მმართველობაში მონაწილეობის უფლების მინიჭებისათვის, ხალხისა და მისი წარმომადგენლების დემოკრატიული უფლებებისათვის". II ყრილობამ (1970) განიხილა პარტიის მოქმედების პროგრამა, რ-ის მთავარი მიზანია გადააქციოს დას. ბერლინი მშვიდობისა და ევრ. უშიშროების ფაქტორად. სეპდბ-ს დელეგაცია მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირში (მოსკოვი, 1969). 1981 წ. 15—17 მაისს ჩატარდა სეპდბ-ს VI ყრილობა. პარტია აერთიანებს 7 ათ.

კაცს (1984), აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე. აღმასრ. ორგანოებია: ბიურო და სამდივნო, სებდ-ის თავ-რეა ჰ. შმიდტი. ცენტრ. ორგანოა გაზ. „ვარჰაიტი“ („Die Wahrheit“).

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, მსხვილი მანქანური მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის შექმნისა და განვითარების პროცესი, რ-იც უზრუნველყოფს სახ. მეურნ. ძირეულ რეკონსტრუქციას და ზრდას უმაღლესი ტექნიკისა და მეურნეობის სოციალისტური ფორმების გამარჯვების საფუძველზე (იხ. აგრეთვე *ინდუსტრიალიზაცია*). *გ. ციციშვილი.*

სოციალისტური ინტერნაციონალი, სოცინტერნი (სი), ს.-დ. პარტიების საერთაშორისო გაერთიანება, მეორე მსოფლიო ომის (1939—45) წინ არსებული მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის მემკვიდრე. დაარსდა 1951 მაისის ფრანკფურტში *კომისკოს* ბაზაზე. სი-ის საპროგრამო პრინციპები ჩამოყალიბებულია დეკლარაციაში „დემოკრატიული სოციალიზმის მიზნებისა და ამოცანების შესახებ“. სი-ის ოფიც. მიზანია „დემოკრატიული სოციალიზმის“ მიღწევა, ე. ი. კაპიტალიზმის თანდათანობით გარდაქმნა სოციალიზმად კლასობრივი ბრძოლისა და სოციალ. რევ. მუშათა კლასის ხელისუფლების დაუმყარებლად. ეკონ. მთელ რიგ დარგებში კერძო საკუთრების შენარჩუნებით (იხ. *„დემოკრატიული სოციალიზმი“*). 50-იანი წლების დასასრულიდან სი გამოდის ევროპის ცენტრში კონტროლსდაქვემდებარებული განიარაღების ზონისა და კოლექტ. უშიშროების სისტემის შექმნის მომხრედ, 70-იანი წწ. დასაწყისში მხარი დაუჭირა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევას და აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. სი-მა აღარ დაუჭირა მხარი აშშ-ის აგრესიულ პოლიტიკას ინდოჩინეთში და ისრაელის მიერ არაბული ტერიტ. ოკუპაციას, დაგმო ფაშისტური გადატრიალება ჩილეში. 1972 სი-ის ბიურო იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ ს.-დ. პარტიებს შეუძლიათ თვითონ მოაგვარონ სხვა პარტიებთან ორმხრივი ურთიერთობის საკითხი. სი-მა დაგმო აშშ-ის პოლიტიკა ნიკარაგუას მიმართ, მხარი დაუჭირა განიარაღებას, ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტას და მის მოსპობას, დაძაბულობის შენელებას, მშვიდობის დაცვას; დაგმო ისრაელის აგრესია ლიბანში, მაგრამ მისი პოზიცია ყოველთვის არ არის თანამიმდევრული.

სი 76 პარტიასა და ორგანიზაციას აერთიანებს (1982). სი-ის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რ-საც იწვევენ 2—3 წელიწადში ერთხელ, კონგრესებს შორის ხელმძღვანელობას ახორციელებს ინტერნაციონალის საბჭო (2 დელეგატი ყოველი პარტიიდან) და ბიურო. სი-ის თავ-რეა ვ. ბრანდტი (გფრ), ვიც. მდივანი პ. ვიანიანენი (ფინეთი), მიმდინარე სამუშაოს ასრულებს სამდივნო, ოფიც. ორგანოა „Socialist Affairs“.

სოციალისტური კანონიერება, იხ. სტ. *კანონიერება.*

სოციალისტური მეურნეობის მსოფლიო სისტემა, იხ. *სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.*

სოციალისტური რეალიზმი, სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდი, რ-ის მიზანია სინამდვილის მართალი, ისტორიულად კონკრეტული გამოსახვა მის ევოლუციურ განვითარებაში. ს. რ-ის ხელოვნება სამყაროსა და ადამიანის ხატოვან კონცეფციაში ასახავს თანამედროვეობის კონფლიქტურ სიმწვავეს, ახ. იდეალებს, ისტ. მოძრაობის დაჩქარებულ ტემპებსა და მილიონობით ადამიანთა ბედთან დაკავშირებული გლობალური მოვლენების გრანდიოზულ მასშტაბებს. ს. რ-ის ხელოვნება მხატვრულად ასახავს სინამდვილეს ისე, როგორც ის არ-ის და როგორც უნდა იყოს, გვაძლევს რეალურისა და იდეალურის, ესთეტ. და ეთიკურის სინთეზს. მასში ორგანულადაა წარმოდგენილი მხატვრული სახის კრიტ.-ანალიტიკური და ქმედითი ფუნქციები.

ს. რ-ის ხელოვნება ემყარება პროგრ. საკაცობრიო კულტ. ტრადიციებს. იგი მათი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეა.

ტერმ. „ს. რ.“ საბჭ. პრესაში პირველად იხმარეს 1932. მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყანაში სოციალ. იდეების გავრცელებასა და მუშათა მოძრაობის განვითარებასთან. ს. რ-ში მხატვრულ განზოგადებას არსებითად იგივე შინაარსი აქვს, რაც სხვა რეალისტური მიმდინარეობებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აქ განზოგადება განსაკუთრებული სიღრმითა და სიზუსტით ხასიათდება, ვინაიდან იგი ემყარება ასახვის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ს. რ-ის საყოველთაოდ ცნობილი თავისებურებაა მომავლის წინასწარ განჭვრეტის, მოვლენების განვითარების წარმოსახვის პრინციპის შეუმცდარობა, რაც ლენინიზმის იდეურ არსს უკავშირდება.

ახ. ტიპის ლიტ-რისა და ხელოვნ. საწყისი ტენდენციები განეკუთვნება XIX ს. შუა წლებსა და II ნახევარს (რევ.-პროლეტ. ლიტ-რა ინგლისში — ჩარტისტული მოძრაობის პოეზია, ე. ჯოუნზის შემოქმედება), გერმანიაში (გ. პერვეგის, ფ. ფრაილიგრათის, გ. ვეერთის პოეზია), საფრანგეთში (პარიზის კომუნის პოეზია, ე. პოტიეს „ინტერნაციონალი“). XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ინტენსიურად განვითარდა პროლეტ. ლიტ-რა რუსეთში, პოლონეთში, ბულგარეთსა და სხვა ქვეყნებში. როგორც მხატვრული მეთოდი, ს. რ. ჩამოყალიბდა XX ს-ში რუსეთში თავდაპირველად მ. გორკის, შემდეგ კი ნაწილობრივ მ. კოციუბინსკის, ი. ევდოშვილის, ი. რაინისისა და სხვათა შემოქმედებაში. მ. გორკის შემდეგ საზ. სინამდვილისა და სოციალ. მსოფლმხედველობის რეალისტური წარმოსახვა იქცა მრავალი ქვეყნის მწერალთა შემოქმედების არსებით თვისებად (საფრანგეთში — ა. ბარბიუსი, დანიაში — მ. ანდერსენ-ნექსე, ამერიკაში — ჯ. რიდი). 1917 დიდი ოქტ. სოციალ. რევ. შემდეგ ევრ. მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბდა სოციალ. ლიტ. მიმდინარეობები და ს. რ-ის მეთოდი მსოფლიო ლიტ-რის კანონზომიერი მოვლენა გახდა. 30-იან წლებში ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდამ ხელი შეუწყო რევ. ლიტ-რისა და ხელოვნ. საერთაშ. ფრონტის გაფართოებას. ამ პროცესში შემაკავშირებელი როლი ითამაშა საბჭ. ლიტ-რამ. II მსოფლიო ომის (1939—45), განსაკუთრებით კი მსოფლიო სოციალ. სისტემის შექმნის, შემდეგ ს. რ-ის პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა. ს. რ-ის მხატვრული გამოცდილების გამდიდრებაში მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, მ. შოლოხოვისა და სხვათა შემოქმედებასთან ერთად დიდი როლი ითამაშეს აგრეთვე კ. სტანისლავსკისა და ვ. მეიერხოლდის თეატრმა, ს. ეიზენშტეინის, ვ. პუდოვკინისა და ა. დოვჟენკოს კინემატოგრაფიულმა სიახლეებმა, ს. პროკოფიევისა და დ. შოსტაკოვიჩის მუსიკამ, ბ. იოგანსონის, ა. დეინეკას, ბ. პროროკოვის, პ. კორინისა და რ. გუტუზოს ფერწერამ, ს. კონიონკოვისა და ვ. მუხინას სკულპტურამ, ბ. ბრეხტისა და ვ. ვიშნევსკის დრამატურგიამ.

ს. რ. აგრძელებს ადრე არსებული ხელოვნ. ჰუმანისტურ ტრადიციებს, აერთიანებს მათ ახ., სოციალ. შინაარსით და წარმოადგენს მხატვრული შეგნების ახ. ტიპს. მისი სიახლე დაკავშირებულია იმ შენაძენთან, რ-იც შეიტანა მარქსიზმმა მატერიალ. ფილოსოფიაში. ს. რ-ის მეთოდის საფუძველია რევ.-ქმედითი სოციალ. ჰუმანიზმის კონცეფცია, რ-შიც გამოხატულებას პოულობს ადამიანის ჰარმონიულად განვითარების იდეები, მისი სულიერი და ზნეობრივი შესაძლებლობის რეალურ გამოვლენათა სისრულე, ბუნებისა და საზოგადოებისადმი ადამიანის ჭეშმარიტად ადამიანური დამოკიდებულება. ეს ჰუმანისტური მიმართულება დამახასიათებელია სოციალ. მხატვრული კულტ. ყველა სახეობისათვის (ლიტ-რა, მხატვრობა, არქიტექტურა, მუსიკა, თეატრი და ა. შ.) და წარმოადგენს ს. რ-ის ხელოვნ. უმნიშვნელოვანეს და უნივერს. განმასხვავებელ თავისებურებას.

ს. რ-ის იდეურ-ესთეტ. არსის განმსაზღვრელია ხელოვნ. და ლიტ-რის ლენინური პარტიულობის პრინციპი. ლიტ-რისა და ხელოვნ. უძირითადესი თავისებურებების შესახებ ვ. ი. ლენინმა მოსაზრებები გამოთქვა ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, სადაც აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის ინტერესებთან დაკავშირებული მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მასებისათვის ჩვენი დემოკრ. და სოციალ. იდეალის მთელი სიდიადით ჩვენებას. ამითაა გაპირობებული მოვლენების განვითარებისა და მომავლის წინასწარგანჭვრეტის პრინციპების შეუმცდარობა ს. რ-ში.

ს. რ-ის ნოვატორობა შეინიშნებოდა მის ადრეულ ეტაპზეც. მ. გორკის ნაწარმოებებით („დედა“, „მტრები“), ანდერსენ-ნექსეს რომანებით („პელე დამპყრობელი“, „დიტე — კაცთა მოდგმის ნაშიერი“) და XIX ს. დასასრ. პროლეტ. პოეზიით ლიტ-რაში აისახა ძვ. და ახ. სამყაროს ბრძოლა, ადამიანის — მებრძოლისა და ახ. საზ-ბის შემოქმედის — ჩამოყალიბება. ყოველივე ამან განსაზღვრა ახ. ესთეტ. იდეალის ხასიათი, ისტ. ოპტიმიზმი. მ. გორკი შთააგონებდა ადამიანს თავისი ძალისა და მომავლის რწმენას, ახდენდა შრომისა და რევ. საქმიანობის პრაქტიკის პოეტიზაციას. ყალიბდებოდა ს. რ-ის ისტორიზმის ახ. თვისებები (მ. გორკის „არტამონოვების საქმე“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“), განვითარდა სატირის სხვადასხვა ჟანრი (ვ. მაიაკოვსკი, ი. ჰაშეკი). საბჭ. პროზის პირველსავე ნაწარმოებებში შეინიშნება ეპიკური მასშტაბურობა რევ. ასახვისას (დ. ფურმანოვის „ჩაპაევი“, ა. სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“ და სხვ.). 20—30-იანი წწ. რომანებში ასახული იყო ხალხის მასობრივი მონაწილეობა რევოლუციაში; ხალხის მასების ასახვა შერწყმული იყო ინდივიდ. და მთლიან ხასიათებთან, რ-ებიც წარმოადგენდნენ ამ მასას (მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის, თ. გლადკოვის, ლ. ლეონოვის, კ. ფედინისა და სხვათა რომანები). ს. რ-ის რომანის ეპიკურობა გამოვლინდა სხვა ქვეყნების მწერალთა შემოქმედებაშიც (ლ. არაგონი, საფრანგეთი; ა. ზეგერსი, გდრ; მ. პუიმანოვა, ჩეხოსლოვაკია; ჟ. ამადუ, ბრაზილია). ს. რ-ის ლიტ-რამ და ხელოვნებამ შექმნა დადებითი გმირის — მებრძოლის მშენებლისა და წინამძღოლის—ახ. სახე. პროლეტარის წინამძღოლის პირველი კლასიკური სახეა პავლე ვლასოვი (მ. გორკის რომანი „დედა“), მოგვიანებით ლევინსონი (ა. ფადეევის „განადგურება“), კორჩაგინი (ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“), დავიდოვი (მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“), კომუნისტი ხელმძღვანელის სახეები შექმნეს ჟ. ამადუმ, მ. პუიმანოვამ, ჯ. ბრედელმა (გდრ), გ. კარასლავოვმა (ბულგარეთი) და სხვ. ოქტ. რევ. პირველი წლებიდანვე მრავალი ხალხის პოეზიაში აისახა ვ. ი. ლენინის პიროვნება — ცოცხალი და ამავე დროს განზოგადებული, როგორც რევ. სიმბოლო: ამ მხრივ ერთი პირველთაგანი იყო ქართ. პოეზია (გ. ტაბიძის „გენი „დალან-

დი"», 1918; „ლენინი", 1924; პ. იაშვილის „ლენინს", დაწერილი 1924 ჭ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო და სხვ.). ს. რ. ინტერნაციონალურია, წარმოადგენს ხელოვნ. ისტორიულად ერთიან მოძრაობას სამყაროს სოციალისტურად გარდაქმნის ეპოქაში. ეს ერთიანობა ვლინდება ახ. მეთოდის ეროვნ. გზების მრავალფეროვნებაში, განვითარების ფორმებში. ს. რ-ის განვითარების ეტაპები ახვადასხვა იყო იმ კონკრ. ეროვნ.-ისტ. პირობების შესაბამისად, რ-ებშიც იგი პოულობდა დასაყრდენს თავისი მხატვრული თავისებურებების ასახვისათვის.

ს. რ-ის პოეზიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს დასავლეთის მწერლებმა, რ-ებსაც აკავშირებდათ XX ს. 10—20-იანი წწ. ე. წ. მემარცხენე ავანგარდისტული მიმდინარეობანი (ლ. არაგონი, პ. ელიუარი, ი. ბეხერი, ნაზიმ ჰიქმეთი, ვ. ნეზვალი, პ. ნერუდა და სხვ). ს. რ-ის გაელენა განიცადეს XX ს. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა: კ. ჩაპეკმა, რ. როლანმა, რ. მარტენ დიუ გარმა და სხვ.

ს. რ. არის ისტორიულად ცვალებადი და ამასთანავე შინაგანად ერთიანი შემოქმედებითი პროცესი. იგი მუდმივად აფართოებს თავის საზღვრებს და იძენს თანამედროვე ეპოქის წამყვანი მხატვრული მეთოდის მნიშვნელობას.

ქართ. ლიტ-რაში ს. რ-ის ცალკეული ნიშან-თვისებები, მისი თანდათანობითი ჩამოყალიბების ტენდენციები შეიმჩნევა XIX—XX სს. მიჯნაზე ი. ევდოშვილის, შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის, ნ. ლორთქიფანიძის, შ. დადიანის, მ. ჯავახიშვილისა და სხვ. შემოქმედებაში. ს. რ-ის მეთოდის დამკვიდრების პროცესი ქართ. ლიტ-რაში დაკავშირებულია ლიტრის შესახებ ვ. ი. ლენინის ცნობილ ნაშრომებთან, „*პროლეტარულ მწერლობასთან*", ჟურნ. „მნათობის" შექმნასთან (1924), საქართვ. მწერალთა I და II ყრილობებთან (1926, 1928), რკპ (ბ) ცკ-ის 1925 რეზოლუციასთან „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში", საქ. კპ (ბ) ცკ-ის 1932 წ. 23 აპრ. დადგენილებასთან „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ", სსრკ მწერალთა I ყრილობასთან (1934) და ჩვენი ქვეყნის საზ.-კულტ. ცხოვრებაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან. ქართ. პოეზიაში ამ პროცესის ანარეკლი იყო გ. ტაბიძის „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა" (1921—24), „ჯონ რიდი" (1924), „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი" (1927), „ეპოქა" (1928), „რევოლუციურ საქართველოს" (1931—32), ტ. ტაბიძის წერილი „პოეტები და რევოლუცია" (1921) და სხვ.; პ. იაშვილის „ახალ საქართველოს" (1921), ა. მირცხულავასა და კ. კალაძის შემოქმედების პირველიე ნიმუშები და ა. შ.; პროზაში — ლ. ქიაჩელის „სისხლი" (1927—28), „ჰაკი აძბა" (1933), „გვადი ბიგვა" (1938), ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგებზე" (1928), კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი" (1931—40), კ. გამსახურდიას „ძთვარის მოტაცება" (1935), მ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი" (1936), პ. ჩხეიძის რომანები და ა. შ., დრამატურგიაში — შ. დადიანის, ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის და სხვ. პიესები.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Об искусстве. Сб. ст., 3 изд., т. 1—2, М., 1967; Ленин В. И., О литературе и искусстве. [Сб. ст.], М., 1969; Горький М., О литературе, М., 1961; Овчаренко А. И., Социалистическая литература и современный литературный процесс, 2 изд., М., 1973; Петров С. М., Возникновение и формирование социалистического реализма, М., 1970; Проблемы социалистического реализма Сб. ст., сб. 1—2, М., 1959—60; Социалистический реализм в зарубежных литературах, М., 1960; Социалистический реализм в литературах народов СССР, М., 1962; Социалистический реализм и классическое наследие. Сб. ст., М., 1960; მერკვილაძე გ., სოციალისტური რეალიზმის შესახებ, თბ., 1954.

ნ. ჭოლოკავა.

სოციალისტური რევოლუცია, პროლეტარული რევოლუცია, სოციალური რევოლუციის უმაღლესი ტიპი, რ-იც ახორციელებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას. ს. რ. თავისთავში შეიცავს დამანგრეველი და აღმშენებლობითი ხასიათის ამოცანებს: მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღება, ძვ. სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა და საზ. საკუთრების დამკვიდრება, ეკონ. და სოც. პროცესების მართვის შეგნებული სისტემის შექმნა, კლასობრივი და ეროვნ. ანტაგონიზმისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის ლიკვიდაცია. სოციალ. დემოკრატიის — დემოკრატიის უმაღლესი ფორმის განვითარება, კულტ. რევ. განხორციელება. წინამორბედი სოც. რევოლუციებისაგან განსხვავებით, რ-ებიც მხოლოდ ექსპლუატაციის ფორმებს ცვლიდნენ, ს. რ. მთლიანად სპობს ექსპლუატაციის ყოველგვარ საფუძველს.

ს. რ. ფართო გაგებით, მოიცავს მთელ გარდამავალ პერიოდს მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობიდან სოციალიზმის აშენებამდე. ვიწრო გაგებით, ს. რ. ნიშნავს ძალაუფლების გადასვლას მუშათა კლასის ხელში, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

ს. რ-ის განსახორციელებლად აუცილებელია ობიექტური წანამძღვრები და სუბიექტური ფაქტორები. ს. რ-ის ღრმა ეკონ. საფუძველი მდგომარეობს წარმოების საზ. ხასიათსა და მითვისების კერძო, კაპიტალ. ხასიათს შორის კონფლიქტში. საწარმოო ძალები, რ-ებმაც კაპიტალიზმის დროს გიგანტურ განვითარებას მიაღწიეს, ეჯახებიან საწარმოო ურთიერთობის ვიწრო ჩარჩოებს, მაგრამ იგი არ იწვევს „კაპიტალიზმის ავტომატურ კრახს". კაპიტალ. წარმოებითი ურთიერთობა ფლობს იმის განსაზღვრულ საშუალებებს, რომ რეაგირება მოახდინოს საწარმოო ძალების ობიექტურ მოთხოვნებზე. ხდება კაპიტალ. საკუთრების ფორმის ევოლუცია — ეკონ. ევოლუცია კერძო ინდივიდუალურიდან სახელმწიფო მონოპოლისტურამდე, რაც კაპიტალ. წარმოების ურთიერთობის ჩარჩოებში საწარმოო ძალების შემდგომი ზრდის საშუალებას ქმნის. მაგრამ ამ პროცესის დიალექტიკა ისეთია, რომ იგი აძლიერებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს და აჩქარებს სოციალიზმის მატერ. წანამძღვრების მომწიფებას.

ს. რ-თვის ობიექტური პირობების გარდა აუცილებელია სუბიექტური ფაქტორის მომწიფებაც, კერძოდ, მუშათა კლასის, მშრომელი მასების აქტ. და შეგნებული ბრძოლა, მარქსისტული რევ. პარტიის არსებობა. სწორედ პარტიას შეაქვს მუშათა კლასში, მშრომელ მასებში სოციალ. შეგნება, ხელმძღვანელობს მასების აღზრდას, ორგანიზებას, ამუშავებს კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას, პოლიტ. ხელმძღვანელობას უწევს ს. რ-ს.

მუშათა კლასის კავშირი არაპროლეტარულ მშრომელ მასებთან ს. რ-ის გამარჯვების აუცილებელი პირობაა. მუშათა კლასის მთავარი მოკავშირე აქამდე გამარჯვებულ ყველა ს. რ-ში იყო გლეხობა. ს. რ-ის გამარჯვება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გარეშე შეუძლებელია. თანამედროვე პირობებში გლეხობა შეადგენს აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. მოსახლეობის უმრავლესობას. განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში, გლეხთა რაოდენობის სწრაფი შემცირების მიუხედავად, მათი მიზიდვა მუშათა კლასის მხარეზე კვლავაც უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. ამასთან ერთად, განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში სამეცნ.-ტექნ. რევ. შედეგად იზრდება სამეცნ.-ტექნ. ინტელიგენციისა და გონებრივი შრომის სხვა ფენების გაელენა და აეტორიტეტი. ინტელიგენციის დიდი ნაწილის ეკონ. და პოლიტ. ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა კლასის ინტერესებთან. ფიზ. და გონებრივი შრომის მუშაკთა კავშირი სულ უფრო და უფრო იქცევა ანტიმონოპ. ბრძოლის მნიშვნელოვან ძალად. მონოპ. ბურჟ. წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე პროლეტარიატის მხარეზე ქალაქის საშ. ფენების გადაბირებას.

ს. რ-ის უმნიშვნელოვანესი აქტია მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების ხელში აღება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ამ ამოცანის გადაწყვეტად აუცილებელია საერთოეროვნ. კრიზისი, რ-იც რევ. სიტუაციის საფუძველზე წარმოიქმნება. ს. რ-ის ფორმები იცვლება კონკრ.-ისტ. პირობებთან დამოკიდებულებაში, ამა თუ იმ ქვეყნის კლასობრივ ძალთა განლაგების, ბურჟ. წინააღმდეგობის, საერთო ვითარების მიხედვით. იგი შეიძლება განხორციელდეს მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გზით. ამის მკაფიო მაგალითია 1917 ოქტ. ს. რ-თვის ბრძოლა. 1917 თვე. რევ. გამარჯვების შემდეგ 3—5 ივლ-მდე ბოლშევიკების პარტია იცავდა რევ. მშვიდობიანი განვითარების გზას, მაგრამ შემდეგ, როდესაც შეიცვალა კონკრ-ისტ. პირობები, პარტია დაადგა შეიარაღებული აჯანყების გზას. ოქტ. რევოლუცია შეიარაღებული აჯანყების გზით განხორციელდა.

II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ზოგ ქვეყანაში ს. რ. განხორციელდა შედარებით მშვიდობიანად, თანამედროვე პირობებში, კაპიტალ. სამყაროს მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის ფართო შესაძლებლობები, რაც განპირობებულია მუშათა კლასისა და სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა ახ. თანაფარდობით, დემოკრ. ბრძოლის მასობრივი გაქანებით, ანტიიმპერიალ. ხასიათის ღრმა დემოკრ. გარდაქმნების მოთხოვნებით. ამ შესაძლებლობის რეალიზაციისათვის ბრძოლაში მარქსისტულ-ლენინურ.ი პარტიები ორიენტაციას იღებენ ძირეულ დემოკრ. გარდაქმნებზე, რ-ებიც შეიცავენ სახ. მეურნ. წამყვანი დარგების, ბანკებისა და სხვათა ნაციონალიზაციას, მუშათა მონაწილეობას წარმოების მართვაში, საზ. ცხოვრების სხვადასხვა მხარის დემოკრატიზაციას და სხვ. ღრმა დემოკრ. რეფორმები ანტიმონოპ. მოძრაობის განვითარების მსვლელობაში წმენდნენ გზას სოციალიზმისაკენ.

მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის თავისი შინაარსით და ხასიათით მჭიდროდაა გადახლართული რევ. მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობასთან. ზოგიერთი მათგანი თავისი ხასიათით არ არის სოციალისტური, მაგრამ ობიექტურად მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ერთვის საერთო რუკ. პროცესს, რაც აძლევს მას რადიკალურ ხასიათს, აახლოებს სოციალიზმისათვის ბრძოლასთან, ქმნის დემოკრ. და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის წანამძღვრებს. თანამედროვეობის ყველა რევ. ძალის ცენტრში დღეს დგას სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. იგი აძლევს ტონს რევ. მოძრაობას, მოქმედებს მასზე მაგალითის ძალით, გამოდის მუშათა კლასისა და სხვა პროგრ. ძალების ინტერნაც. მხარდაჭერით, თავისი აქტიური მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკით წინ ეღობება კონტრრევოლუციის იმპერიალისტურ ექსპორტს. სოციალიზმის მსოფლიო სისტემასთან ერთად მთავარ რევ. ძალად გამოდის განვითარებული კაპიტალ. ქვეყნების

მუშათა კლასი და ეროვნ.-განმათ. მოძრაობა.

ანტიიმპერიალ. ბრძოლაში მონაწილე კლასებისა და სოც. ფენების არაერთგვაროვნება არის მსოფლიო რევ. პროცესში წინააღმდეგობათა წარმოშობის წყარო. მრავალმილიონიანი წერილბურჟ. მასა, რ-იც ამ პროცესში მონაწილეობს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდის თავისი ცრუ აზრით, რითაც მოაქვს რევ. მოძრაობაში თავისი მერყეობა, ნაციონალიზმი და ულტრარევოლუციურობა. ეს კი წარმოშობს დროებით ზიგზაგებს. მაგრამ თანამედროვეობის ძირითადი რევ. ძალების ერთიანობა უზრუნველყოფს წარმოშობილი დროებითი სიძნელეების გადალახვას.

მსოფლიო ს. რ. ეს არის ერთიანობა მრავალსახეობაში. ყოველი ს. რ. საერთო კანონზომიერებებთან, საერთო ნიშნებთან ერთად, თავისთავში მოიცავს სპეციფიკურობას, თავისებურებებს, რ-ებიც ამა თუ იმ ქვეყნის კონკრ. პირობებით არის განპირობებული. ოქტ. ს. რ. საერთო კანონზომიერებებთან ერთად თავის თავში შეიცავდა რუსეთ-ისა და იმ დროისათვის დამახასიათებელ ისტ. თავისებურებებს. თავისებურებები გააჩნიათ სხვა რევოლუციებსაც. ს. რ-ის თეორია დაამუშაეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მათ მეცნიერულად უწვენეს ს. რ-ის ისტ. აუცილებლობა. ვ. ი. ლენინმა ახ. ვითარებასთან და პირობებთან შეფარდებით შემოქმედებითად განავითარა იგი. თანამედროვე პირობებში ს. რ-ის პრობლემებს შემოქმედებითად ავითარებენ კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ ერთობლივ თუ ცალკე მიღებულ დოკუმენტებში. ისინი, ამასთანავე, სასტიკად იბრძვიან ყველა ჯურის რევიზიონისტების, განსაკუთრებით მემარჯვენე და მემარცხენე გადახრების წინააღმდეგ, რ-ებიც ცდილობენ ს. რ-ის მარქსისტულ-ლენინური თეორიის, საერთოდ სოციალიზმის საქმის დამახინჯებას.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მარქსი კ., გოთას პროგრამის კრიტიკა, თბ., 1953; მისივე, კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, თბ., 1950; მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; ლენინი ვ. ი., ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მისივე, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, იქვე, ტ. 22; მისივე, „მემარცხენეობის" სენი კომუნიზმში, იქვე, ტ. 31; მისივე, პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა, იქვე, ტ. 23; მისივე, სახელმწიფო და რევოლუცია, იქვე, ტ. 25; მისივე, სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში, იქვე, ტ. 9; სკკპ ცკ-ის დადგენილება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ, თბ., 1970; კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. მოსკოვი, 1969 წ. 5—17 ივნისი, თბ., 1969; მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები, თბ., 1961; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, თბ., 1967; სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1967; Великий Октябрь и мировое революционное движение, М., 1967; Ковалев А. М., Марксистско-ленинская теория социалистической революции и современность, М., 1967; Красин Ю. А., Диалектика революционного процесса, М., 1972; Ленинская теория социалистической революции и современность, М., 1972; Международное революционное движение рабочего класса, 3 изд., М., 1966.

ბ. გუბელიძე.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, სოციალური ნორმები, რ-ებიც აწესრიგებენ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ფართო გაგებით ს. ს. ც. წ. მოიცავენ უკლებლივ ყველა სოც. ნორმას და მ. შ. სამართლებრივს. კანონმდებლობაში ს. ს. წ. შ-ის ცნება იხმარება უფრო ვიწრო გაგებით. მაგ., საქ. სსრ კონსტ. 57-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს სსრ მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს..." აქ ს. ს. ც. წ-ში იგულისხმება ყველა ისეთი არასამართლებრივი სოც. ნორმა, როგორიცაა მორალური ნორმები, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ა. შ., რ-თა ცხოვრებაში გატარება ხდება სახ. აზრის ზემოქმედებით.

სოციალისტური საკუთრება, წარმოების საშუალებებზე საზოგადობერივი საკუთრების ისტორიულად განსაზღვრული ფორმა, რ-იც შეადგენს *სოციალიზმის* ეკონომიკურ საფუძველს; წარმოიშობა ძირითადი *წარმოების საშუალებების* ნაციონალიზაციის შედეგად; მთელი საზ-ბის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საწარმოო ძალების შესაძლებლობის მაქს. გამოყენებას.

კაპიტალ. საკუთრებისაგან განსხვავებით, ს. ს. არ წარმოიშობა წინა წარმოების წესის წიაღში, ვინაიდან კომუნიზმი ქმნის პრინციპულად განსხვავებულ ახ. *წარმოებით ურთიერთობას*. ს. ს-ის წარმოშობა სახ. მეურნ. გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების საფუძველია (იხ. *სახალხო მეურნეობის დაგეგმვა*) და განაპირობებს სახ. მეურნ. ყველა დარგის განვითარების საფუძველზე მთელი საზ-ბის მუდმივად ზრდად მატერ. და კულტ. მოთხოვნილებათა მაქს. დაკმაყოფილებას (იხ. *სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი*). საზ. საკუთრება წარმოების საშუალებებზე გაივლის განვითარების ორ ეტაპს—სოციალისტურსა და სრულ კომუნისტურს. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების ორი ფორმა არსებობს: სახელმწ. საკუთრება (საერთო-სახ.) და საკოლმ.-კოოპ. საკუთრება. საკუთრების ამ ორ ფორმას შეესაბამება სოციალ. საწარმოთა ორი სახე. სოციალიზმის დროს საზ-ბის ყველა წევრი ეკონომიკურად თანასწორ მდგომარეობაშია წარმოების საშუალებების მიმართ, მაგრამ შენარჩუნებულია ფაქტობრივი უთანასწორობა მოხმარებაში. ს. ს-ში წამყვანი და ძირითადია სახელმწ. საკუთრების ფორმა. სახელმწ. საკუთრების შემადგენლობაში შედის მიწა (სსრკ-სა და მონღოლეთში მთლიანად, სხვა სოციალ. ქვეყნებში — ნაწილობრივ), მისი წიაღისეული, წყალი, ტყე, ქ-ნები, ფ-კები, შახტები, მაღაროები, ტრანსპორტი, ბანკები, სახელმწ. სას.-სამ. საწარმოები, სახელმწ. საბინაო ფონდი და სხვ.

სსრკ *ეროვნული სიმდიდრის* (მიწისა და ტყის გამოკლებით) ღირებულება შეადგენს 3,0 ტრილიონ მანეთს. ეროვნ. სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ძირითადი ფონდები, რ-თა ღირებულებამ 1982 შეადგინა 1,97 ტრილიონი მან., მ. შ. წარმოებითმა ძირითადმა ფონდებმა 1.31 ტრილიონი (1973 წ. შესადარებელ ფასებში). აღნიშნულ ფონდებზე განუყოფლად ბატონობს საკუთრების სოციალ. ფორმა (იხ. ცხრ.), ხოლო სახელმწ. საკუთრების წილი შეადგენს დაახლ. 90%.

სოციალ. კეთილდღეობის პროცესში შექმნილი წარმოების საშუალებები შენარჩუნებულია (საზოგადოებრივი) ს. ს-ის ობიექტად, ხოლო მოხმარების საგნები იყოფა ორ სოც. ფორმად. მისი ნაწილი ქმნის ერთობლივი მოხმარების ფონდს და რჩება საზ. საკუთრების ობიექტად (არაწარმოებითი ფონდები, ბ-კების, მუზეუმების ქონება და სხვ.), ხოლო ნაწილი გარდაიქმნება პირადი საკუთრების ობიექტად. მოსახლ. საოჯახო ქონება შეადგენს დაახლ. 600 მლრდ. მან. სოციალ. საზ-ბაში არსებობს აგრეთვე სხვადასხვა საზ. ორგანიზაციის (პარტ., პროფკავშირული, სპორტ. საზ-ბისა და სხვ.) საკუთრება, რ-იც უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოებასთან და არსებობს მხოლოდ ერთობლივი საზ. პროდუქტის განაწილებისა და მოხმარების სფეროში.

ჯ. კაბნიაშვილი.

სოციალისტური სამართალი, იხ. სტ. *სამართალი.*

სოციალისტური სახელმწიფო, იხ. სტ. *სახელმწიფო.*

სოციალისტური სახელმწიფო საწარმო, იხ. *სამრეწველო საწარმო.*

სოციალისტური სოფელი, სოფელი ხობის რ-ნში (ნოჯიხევის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 30 *მ*, ხობიდან 3 *კმ*. ნოჯიხევის სებტროპ. კულტურების საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა.

სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა, სახელმწიფოთაშორისი სამეურნეო ურთიერთობის სისტემა, რ-ის განვითარების მსვლელობაში ხორციელდება შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების უპირატესობის რეალიზაცია. ს. ძ. ე. თ-ის მიმდინარეობის პროცესში ფართოვდება და ღრმავდება სოციალისტური წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, სამეცნ. თანამშრომლობა და სოციალ. ქვეყნების რესურსების ერთობლივი გამოყენება, სამრეწველო ობიექტების ერთობლივი მშენებლობა და სხვ. ს. ძ. ე. თ-ში თვისებრივად ახ. ეტაპია ეკონომიკური ინტეგრაცია.

ს. ძ. ე. თ-ის ყველაზე ნაცადი და განვითარებული ფორმაა სოციალ. ქვეყნებს შორის საქონელგაცვლა. რაც უფრო ღრმაა წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, მით უფრო ინტენსიურია საქონელგაცვლა სახელმწიფოებს შორის. აქედან გამომდინარე, ს. ძ. ე. თ-ის ფორმების საბოლოო შედეგები აისახება საგარეო ვაჭრობის ზრდაში. 1982 სსრკ საგარეო ვაჭრობის მოცულობამ სოციალ. ქვეყნებთან შეადგინა 64 952 მლნ. მან. მ. შ. ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოში (ეუს) შემავალ ქვეყნებთან — 58 702 მლნ. მან., რაც 11-ჯერ და 13-ჯერ (შესაბამისად) აღემატება 1950 მაჩვენებლებს. სოციალ. ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის საფუძველზე წარმოიშვა საერთაშ. საქონელგაცვლის განსაკუთრებული სფერო — მსოფლიო სოციალისტური ბაზარი, რ-იც მსოფლიო კაპიტალ. ბაზრისაგან უმთავრესად განსხვავდება თავისი მიზნითა და ამოცანებით. მისთვის დამახასიათებელია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გეგმაზომიერი ორგანიზაცია. სოციალ. ქვეყნებს შორის საქონელგაცვლა განაპირობებს მათ შორის საკრედიტო ურთიერთობის სისტემის არსებობას, რ-ის მნიშვნელოვანი რგოლია ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი (1693) და საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი (1971). ამჟამად სოციალ. ეკონ. ინტეგრაციის ხანგრძლივი პროგრამის შესრულების მიღწეული დონე ს. ძ. ე. თ-

სოციალისტური მეურნეობის ხვედრითი წონა (პროცენტობით)

	1924	1928	1937	1985
ქვეყნის წარმოებით ძირითად ფონდებში				
პირუტყვის ჩათვლით	35,0	35,1	99,0	100
პირუტყვის გარეშე	58,9	65,7	99,6	100
ეროვნულ შემოსავალში	35,0	44,0	99,1	100
მრეწველობის პროდუქციაში . .	76,3	82,4	99,8	100
სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში[1]	1,5	3,3	98,5	100
სავაჭრო საწარმოების საცალო საქონელბრუნვაში (საბჭოების ჩათვლით)	47,3	76,4	100	100

[1] კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების პირადი დამხმარე სასოფლო მეურნეობის ჩათვლით.

ის გაცილებით მაღალ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, აქტუალური ხდება გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება (იხ. აგრეთვე *საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია*. *ჯ. კახნიაშვილი.*

სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, იხ. *სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია.*

სოციალისტური შეჯიბრება, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, ექსპლუატაციისაგან თავისუფალ მშრომელთა საწარმოო თანამშრომლობის ფორმა; მშრომელთა ფართო მასების სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობის განვითარების, ადამიანების შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდის მძლავრი საშუალება.

შეჯიბრება, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა „კაპიტალში", წარმოიშობა შრომის კოოპ. პროცესში და იგი შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორია. კაპიტალიზმის დროს შეჯიბრება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობის გამო საბოლოოდ კონკურენციის ფორმას ღებულობს.

ს. შ-ის ფორმები იცვლება სოციალ. საზ-ბის განვითარების კვალობაზე. საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში ფართოდ გავრცელდა ს. შ-ის ისეთი ფორმა, როგორიც იყო *კომუნისტური შაბათობები*. ს. შ-ის ახ. ეტაპი იყო დამკვრელობა. 1929 ჩატარდა დამკვრელი ბრიგადების I საკავშ. ყრილობა. 1930 მაისში ფართოდ გავრცელდა ს. შ-ის ე. წ. საზ. „ბუქსირების" ფორმა, რ-იც ითვალისწინებდა მოწინავე კოლექტივების მიერ ჩამორჩენილი კოლექტივებისათვის ამხანაგურ დახმარებას. 1930 ივლისში ლენინგრ. მუშები გამოვიდნენ შემხვედრი სამრეწვ. ფინანს. გეგმის ინიციატივით, რ-საც მხარი დაუჭირა სკკპ (ბ) ცკ-მა.

სახ. მეურნ. ტექ. აღჭურვილობის განახლების ეტაპს შეესაბამებოდა ს. შ-ის ისეთი ფორმა, როგორიც იყო *სტახანოვური მოძრაობა*.

დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) აღმოცენდა ს. შ-ის ახალი ფორმები (ორასეულთა, ათასეულთა, ბრავალდაზგიანთა, პროფესიების შემთავსებელთა, კომკავშირულ-ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადების მოძრაობა). 50-იანი წლების ბოლოს წარმოიშვა ს. შ-ის ახ. ფორმა—შრომისადმი დამოკიდებულების მოძრაობა (იხ. *კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები*) და სხვ.

ს. შ-ის ისტორია მოწმობს, რომ მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნებია კოლექტივიზმი, ამხანაგური ურთიერთდახმარება, საწარმოო გამოცდილების გაზიარება, ინიციატივა, შრომაში თავის გამოჩენა, ნოვატორობა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, მაღალი საზოგადოებრივი შეგნება და დისციპლინა.

ს. შ-ის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპია საჯაროობა, რ-იც იწყება შეჯიბრების პირობების შემუშავების მომენტიდან და მთავრდება მისი შედეგების შეჯამებით. საჯაროობა ხელს უწყობს მშრომელთა ინიციატივის განვითარებას, რეზერვების გამოძებნისა და სიახლეთა დანერგვის ენთუზიაზმს. ს. შ. წარმოუდგენელია შედეგების შესადარისობის გარეშე. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ს. შ-ში მონაწილეთა დასაბუთებულ შერჩევას, შეჯიბრების პირობებისა და მაჩვენებლების კონკრეტულობას. ორმხრივი ხელშეკრულება აადვილებს ს. შ-ის შესადარისობას და ამავე დროს იძლევა კონკრ. პროფ. გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას. უკანასკნელ წლებში შემუშავდა მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების მრავალი საშუალება (მოწინავე გამოცდილების შიდასაქარხნო და ქარხანათშორისი სკოლები, კომუნისტური შრომის სკოლები, დათვალიერების ჩატარება, სამეცნ.-ტექ. შემოქმედების გამოფენა, კონკურსი პროფესიების მიხედვით და სხვ.).

ს. შ. როგორც ეკონ. კატეგორია, მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალიზმის ეკონ. კანონებთან, უპირველეს ყოვლისა, კი *სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონთან*.

განვითარებული სოციალიზმის დროს იზრდება ს. შ-ის როლი სამეურნეო მშენებლობაში. იგი კიდევ უფრო მეტად უკავშირდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად პიროვნებისა და კოლექტივის სოც. განვითარების ინტერესებს. იზრდება ს. შ-ში მონაწილე პირთა რაოდენობა. მაგ., 1919 წ. 12 აპრ. პირველ კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობდა 15 კაცი, მ. შ. 13 კომუნისტი, 1920 წ. 1 მაისს სრულიად რუს. შაბათობა-მაისობაზე კი—ასეულ ათასობით კაცი (მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრადში 600 ათ. კაცი). 1970 საკავშ. კომუნისტურ შაბათობებში მონაწილეობდა 119,2 მლნ. კაცი, მ. შ. მრეწველობაში — 27,2, სოფ. მეურნეობაში — 21,7, ტრანსპორტში — 5,9, მშენებლობაში — 6,4 მლნ. კაცი და ა. შ. 1980 წ. 19 აპრ. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდა საკავშ. კომუნისტური შაბათობა, რ-შიც ანაზღაურების გარეშე მონაწილეობდა 155 მლნ. კაცი.

ს. შ. ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საქ. სსრ-ში, 1980 იწდიყიდ. და ბრიგადულ ს. შ-ში ჩართული იყო 1823,1 ათ. კაცი. აქედან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობაში მონაწილეობდა 927,6 ათ. მ. შ. კომუნისტი შრომის დამკვრელობაში — 369,8 ათ. კაცი. რესპუბლიკაში ამ პერიოდში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობაში ჩართული იყო 3,5 ათ. კოლექტივი, აქედან 250-ს უკვე ჰქონდა მიღებული კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. 1984 წ. 19 აპრ. სრულიად საკავშ. კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობა მიიღო დაახლ. 2900 ათ. კაცმა.

ს. შ. ფართოდ გავრცელებულია მოძმე სოციალ. ქვეყნებში, სადაც თითოეული ქვეყნის ისტ. თავისებურებისა და კონკრ. პირობების გათვალისწინებით მოქმედებს ს. შ-ის სხვადასხვა ფორმა. *ო. ბელაძე.*

სოციალისტური შრომის გმირი, საპატიო წოდება სსრ კავშირში, წარჩინების უმაღლესი ჯილდო შრომითი საქმიანობისათვის. დაწესებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. 27 დეკ. ბრძანებულებით. ანიჭებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იმ პირებს, რ-ებმაც თავიანთი ნოვატორული საქმიანობით ხელი შეუწყვეს სსრკ მრეწვ., სოფ. მეურნ., კულტ. თუ მეცნ. აღმავლობას. ს. შ. გ-ს გადაეცემა სსრკ უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, ოქროს medალი „ნამგალი და ურო" და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი. ორგზის ს. შ. გ-ს თავის სამშობლოში აუგებენ ბრინჯაოს ძეგლს. ს. შ. გ-ის წოდების ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, იხ. *წარმოებითი ურთიერთობა, სოციალიზმი.*

სოციალისტური წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი; ახასიათებს სახ. მეურნ. განვითარების მიღწეულ დონეს; გამოიხატება სასარგებლო შედეგისა (ეფექტის) და მის მისაღებად საჭირო დანახარჯების თანაფარდობით. გაიანგარიშება სხვადასხვა დონის (სახ. მეურნეობის, დარგის, საწარმოს) მიხედვით. ს. წ. ე. ე-ის ამაღლება თანამედროვე ეტაპზე სოციალ. წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და ითვალისწინებს საზ. შრომის უმცირესი დანახარჯებით მაქს. სამეურნეო შედეგის მიღებას. საზ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა და აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში განისაზღვრება კომუნისტური მშენებლობის ამოცანებით, სოციალიზმის ეკონ. კანონების მოქმედებით, თანამედროვე *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის* მოთხოვნებით.

სახ. მეურნ. განვითარების ხუთწლიანი გეგმების შესრულებამ განუზომლად გაზარდა ქვეყნის ეკონ. პოტენციალი. თანამედროვე ეტაპზე ს. წ. ე. ე-ის ამაღლება კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული ეკონ. სტრატეგიის საკვანძო საკითხად იქცა. პარტიის საპროგრამო მიზნის (ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება) მიღწევა აჩქარებით უფრო მეტად არის დამოკიდებული წარმოების ზრდის ინტენს. ფაქტორებზე, სახ. მეურნ. დარგებში მეცნ.-ტექ. პროგრესის ტემპების დაჩქარებაზე, პროდუქციისა და შრომის ხარისხის ამაღლებაზე. მატერ., შრომითი და ფინანს. რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, რ-ებიც განაპირობებენ საზ. შრომის ნაყოფიერების ზრდასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ს. წ. ე. ე-ის ამაღლება საერთო — სახ. ამოცანაა. იგი წყდება წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში, ყოველ სამუშაო ადგილზე.

ს. წ. ე. ე-ის ამაღლების ძირითადი მიმართულებებია: წარმოებაში მეცნ. და ტექ. მიღწევათა ფართოდ გამოყენება, მართვისა და დაგეგმვის სისტემის სრულყოფა, სახ. მეურნ. სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, პროდუქციისა და შრომის ხარისხის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარება, *წარმოებითი ფონდების* უკეთ გამოყენება, პროდუქციის მასალატევადობის შემცირება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ს. წ. ე. ე-ის ამაღლების განმაზოგადებელი მაჩვენებლებია: სახ. მეურნეობისათვის — მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნ. შემოსავლის ზრდა, ფიქსირებული საწარმოო ფონდების 1 მანეთზე ეროვნ. შემოსავლის ზრდა, ზედმეტი პროდუქტის შეფარდება შრომის ანაზღაურების ფონდთან მატერ. წარმოების სფეროში, ზოგადი რენტაბელობა, საზ. პროდუქტის 1 მანეთზე წარმოებისა და მიმოქცევის დანახარჯები და სხვ., მატერ. წარმოების დარგისა და საწარმოებისათვის სასაქონლო (მთლიანი) პროდუქციის წარმოების ზრდა, დანახარჯების 1 მანეთზე სასაქონლო პროდუქციის წარმოება, საერთო რენტაბელობა, სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე გაწეული დანახარჯები (გაანგარიშებული სრული თვითღირებულების მიხედვით) და სხვა.

მეთერთმეტე ხუთწლედში და მომდევნო წლებში მრავალმხრივი ეკონ. და სოც. ამოცანების გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა და მთელი საზ. წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება.

ალ. წერეთელი.

სოციალისტური წარმოების რიტმულობა, საწარმოო პროცესის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რ-იც გულისხმობს საწარმოს (გაერთიანების) ყველა საწარმოო რგოლის მიერ სათანადო ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმის დავალებების სისტემატურ შესრულებას წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ს. წ. რ. ქმნის მოწყობილობებისა და სამუშაო დროის უფრო სრულად და თანაბარზომიერად გამოყენების, დაუმ-

თავრებელი წარმოების მარაგის შემცირებისა და *საბრუნაო საშუალებების* ბრუნვადობის დაჩქარების პირობას. არარიტმულობა იწვევს მშრომელთა ნორმალური შუშაობის გრაფიკის დარღვევას, სამუშაო დროის დანაკარგს, იერიშობანას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების ვადების დარღვევას, წარმოების სხვა რგოლებში საწარმოო პროცესების შეფერხებას.

ს. წ. რ-თვის საჭიროა ტექნოლ. პროცესების დახვეწა, წარმოების ორგანიზაციის პროგრ. მეთოდების დანერგვა, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და დაუმთავრებელი წარმოების სადაზღვეო და სარეზერვო მარაგის შექმნა. ს. წ. რ. ყველაზე სრულყოფილია ერთტიპური პროდუქციის მასობრივად დამზადების ნაკადური წარმოების ორგანიზაციის დროს. ს. წ. რ. იზომება დადგენილი გრაფიკის მიხედვით პროდუქციის დამზადებისა და მისი ფაქტობრივი გამოშვების შესაბამისობის მიხედვით. *გ. ჩადუნელი.*

სოციალისტური წარმოების წესი, იხ. *სოციალიზმი.*

სოციალისტური წარმოების ხარჯები, იხ. *წარმოების ხარჯები.*

სოციალისტ-ფედერალისტები, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია, 1901 პოლიტ. ასპარეზზე გამოვიდა გაზ. „ივერიისა" და „ცნობის ფურცლის" გარეშემო შემოკრებილ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი (ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გ. და ა. დეკანოზიშვილები, გ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა და სხვ.) და დაიწყო მუშაობა პარტიის შესაქმნელად. აირჩიეს ხელმძღვ. კომიტეტი. 1903 პარიზში დაიწყეს გაზ. „საქართველოს" გამოცემა. ს.-ფ. საქართველოს ავტონომიას კონსტიტუციური პარლამენტარიზმის საფუძველზე ვარაუდობდნენ. 1904 აპრ. გაზ. „საქართველოს" რედაქციამ იმ ქართვ. ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობით, რ-ებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ, ჟენევაში მოიწვია კონფერენცია. ს.-ფ-მა მოითხოვეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საქართვ. ავტონომიისა და ფედერალიზმის იდეა წამოაყენეს. რუს. I რევ. დროს ს.-ფ-ის პარტია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1904 სექტ. მათ მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ყველა ოპოზიციური პარტიის პარიზის კონგრესის მუშაობაში. 1907 საქართვ. ს.-ფ-ის პარტია II ინტერნაციონალში მიიღეს. 1906 პარტიის წევრჯგუფებ საწილმა ფაქტობრივად დამოუკიდებელი პარტია შექმნა, რ-იც 1917 თვით.-დემოკრ. პარტიად გაფორმდა. ს.-ფ-ის პარტიიდან გარიცხეს ანარქისტები.

1907 ოქტ. ს.-ფ-ის პარტიის III კონფერენციამ მიიღო გ. რცხილაძის მიერ მომზადებული პროგრამა და წესდება. პროგრამა — მაქსიმუმი სოციალიზმს ქადაგებდა, მაგრამ ეს სოციალიზმი უტოპიური, წვრილბურჟუაზიული იყო. პროგრამა-მინიმუმი კი შედგებოდა პოლიტ. და ეკონ. მოთხოვნებისაგან (პირთვნების სრული თავისუფლება, ფართო საკანონმდებლო და ადმ. დეცენტრალიზაცია, დემოკრ. წარმომადგენლობითი მმართველობა, სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა, საქართველოს ეროვნ.-ტერიტ. მოწყობა, 8-საათიანი სამუშაო დღე და სხვ.). პროგრ. საკითხში პროგრამა მიწის სოციალიზაციას მოითხოვდა. ეს იდეა ესერების პროგრ. პროგრამიდან იყო ნასესხები. ს.-ფ. ებრძოდნენ საქართველოში ს.-დ. მიმდინარეობათა წინააღმდეგ: მწვავე პოლემიკა ჰქონდათ მათ ქართვ. ბოლშევიკებთან, რუს. პირველი რევოლუციის დროს და შემდეგაც ს.-ფ. გამოდიოდნენ ჭართვ. სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნით და ამ მიზნით მონაწილეობდნენ საერთო-რუს. პოლიტ. ცხოვრებაში. ისინი ეროვნ. საკითხების გადაჭრის გზებს ბურჟ. რევოლუციაში ხედავდნენ. I და IV სახელმწ. სათათბიროში ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი. 1901—06 ს.-ფ-ის პირველი ლეგალური ორგანო იყო გაზ. „ცნობის ფურცელი", შემდეგ — „სახალხო გაზეთი" (1910—14), „სახალხო ფურცელი" (1914—17) და სხვ.

თებ. ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციის შემდეგ ს.-ფ. რუსეთის ბურჟ. მთავრობას უჭერდნენ მხარს. ისინი შევიდნენ საქართვ. ინტერპარტიულ საბჭოში. 1918 საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ს.-ფ აქტიურად მონაწილეობდნენ ბურჟ საბელმწიფოს მშენებლობაში. ისინი აირჩიეს ეროვნ. საბჭოს—საქართველოს პარლამენტის — ხელმძღვანელ ორგანოებში. ს.-ფ-ს საქართვ დამფუძნებელ კრებაში 8 დეპუტატი ჰყავდათ. საქართველოს დემოკრ. რესპ ღროებით კოალიციურ მთავრობაში იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს განაგებდნენ. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს.-ფ-ის პარტიამ აზ. დროებითი ხელმძღვ. ორგანო აირჩია. დაიწყეს გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის" გამოცემა. 1921 იანვ. ს.-ფ-ის VI კონფერენციაზე პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის გაერთიანების ცდა მარცხით დამთავრდა. იმავე წლის იანვარში მოიწვიეს ს.-ფ-ის პარტიის I ყრილობა. აქ მემარცხენე ს.-ფ. ოფიციალურად დამოუკიდებელ პარტიად გამოცხადდა, მას ახ. სახელი „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია" ეწოდა. ს.-ფ-ის მემარცხენე ჯგუფმა საქართვ. რევკომთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში მემარცხენე ს.-ფ. მონაწილეობდნენ საქართვ. საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში. 1921 დეკ. თბილისის საქალაქო საბჭოში აირჩიეს 10 ს.-ფ., 1922 წ. — 14.

1921 — 22 მემარცხენე ს.-ფ. ამიერკავკ. ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდნენ; ისინი მხარს უჭერდნენ საქ. სსრ-ის უშუალოდ შესვლას საბჭ. რესპუბლიკების კავშირში. 1923 ნოემბ. საქართვ. მემარცხენე ს.-ფ-ის პარტიის II ყრილობამ დაადგინა შეერთებოდა კომუნისტურ პარტიას. ამ პარტიის წევრთა ერთი ნაწილი (თ. ლღონტი და სხვ.) აქტიურად მონაწილეობდა საბჭ. სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

ლიტ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6—7, თბ., 1972—76; ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე უ., ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან, კრ.: ქართული ისტორიოგრაფია, [ტ.] 1, თბ., 1968; ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე გ., საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923), თბ., 1974.

უ. სიდამონიძე.

სოციალურ-ეკონომიკური რუკები, რუკები, რ-ებიც ასახავს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა მოვლენას. გვიჩვენებს მოსახლეობის და მეურნ დარგების ტერიტ. განლაგებას, პოლიტ.-ადმ. დაყოფას, მეცნ., კულტ. და განათლების მდგომარეობასა და სივრცობრივ ცვლილებებს სოც.-ეკონ. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ცალკე ჯგუფებად გამოიყოფა მოსახლ., ეკონ., კულტ.-საგანმან. და ისტ. რუკები. თითოეული ამ ჯგუფის რუკა შედგება როგორც სინთეზური, ისე ელემენტარული მაჩვენებლებისაგან, რ-ებიც წარმოდგენას გვაძლევს სოც.-ეკონ. მოვლენათა სივრცობრივ ცვლილებებზე (იხ. *ისტორიული რუკები, მრეწველობის რუკა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკა, სასოფლო-სამეურნეო რუკა, ბალხთმოსაბლეობის რუკა*).

სოციალური ადაპტაცია, ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევების შესატყვისობაში მოყვანა იმ ნორმათა და ღირებულებათა სისტემასთან, რ-იც გაბატონებულია მოცემულ საზოგადოებაში, კლასში ან სოციალურ ჯგუფში. ს. ა. ხორციელდება სოციალიზაციის პროცესში და სოც. კონტროლის იმ მექანიზმების დახმარებით, რ-იც მოიცავს საზ. და სახელმწიფოებრივ იძულებას.

სოციალური განწყობა, განწყობის ერთ-ერთი სახე, პიროვნების მთლიანი ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, რ-იც ადამიანს სოციალური მნიშვნელობის მქონე საქმიანობისაკენ წარმართავს. შინაარსობრივი თვალსაზრისით ს. გ-ის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სოც ღირებულებაზეა მიმართული. ადამიანს უშუალოდ ებება ს. გ. მორალური ქცევის ნორმების, ტრადიციების, იდეოლოგიის, კლასობრივ და სხვა მატერ. და სულიერ ღირებულებათა მიმართ.

ს. გ-ის ერთ-ერთი ძირითადი ფსიქოლ. თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი აღნიშნულ სოც. ღირებულებათა მიმართ პიროვნების ორგვარ (დადებით და უარყოფით) დამოკიდებულებაში ელინდება — პიროვნებას ექმნება ტენდენცია შეიწყნაროს ან უკუაგდოს აღნიშნული ღირებულებანი, დაიცვას ისინი ან ებრძოლოს მათ.

ლიტ.: ნ ა დ ი რ ა შ ვ ი ლ ი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე, Понятие установки в общей и социальной психологии, Тб., 1974; Я д о в В. А., Б е л я е в Э. В., В о д и н с к а я В. В., Внутренняя регуляция социального поведения субъекта, კრ.: Проблемы социальной психологии, Тб., 1976.

შ. ნადირაშვილი.

სოციალური გარემო, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორთა ერთობლიობა. მარქსიზმი „საზოგადოებრივი ცხოვრების" ცნებაში გულისხმობს მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებას; ზოგიერთი ბურჟ. ავტორი კი მასში ცხოველთა და მცენარეთა სივრცობრივ კავშირებსაც გულისხმობს.

საზ. ცხოვრების ბუნებრივი (ბიოლ., გეოგრ. და დემოგრაფიული) ფაქტორები ადამიანთა საზ. ცხოვრების აუცილებელი საფუძველია, მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ სოც. პროცესებს, ვინაიდან ერთნაირი გენეტიკური მონაცემების ადამიანები, რ-ებიც ერთნაირ გეოგრ. გარემოში ცხოვრობენ, ქმნიან თანაცხოვრების განსხვავებულ ფორმებს, განსხვავებული სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჯგუფებს, კულტურას, ეკონომიკასა და პოლიტ. სისტემებს.

მარქსისტული სოციოლოგიის თანახმად, საზ. ცხოვრებას განსაზღვრავენ ადამიანთა მატერ. წარმოებითი ურთიერთობანი, რ-თა ერთობლიობა შეადგენს „საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს..." (მ ა რ ქ ს ი კ., ე ნ გ ე ლ ს ი ფ., რჩ. ნაწერები, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 406). *დ. ყარაულაშვილი.*

სოციალური გრძნობები, სხვა ადამიანებისა და თავისი თავის მიმართ დამოკიდებულების გამომხატველი უშუალო ფსიქიკური რეაქციები, რ-ებიც ადამიანებს უწნდებათ აქტუალური ურთიერთქმედების პროცესში.

საზ. ცხოვრება ადამიანს რთავს სოც. ურთიერთობის გარკვეულ უფლებამოვალეობრივ სისტემაში, სადაც ყალიბდება ს. გ.; რადგან ს. გ. პირადი გამოცდილების პროცესში ყალიბდებიან, ისინი უნიკალურ განცდებს წარმოადგენენ. მაგრამ რადგან ინდივიდები საზ-ბაში ხშირად მსგავსი პრობლემების წინაშე დგებიან, ამიტომ მათ მსგავსი გრძნობებიც უყალიბდებათ.

იმისდა მიხედვით, თუ ს. გ. რა მიმართულებას აძლევს ადამიანის ქცევას, ისინი შეიძლება დაიყოს ორ დიდ კლა-

სად: სიფვარულისა და სიძულვილის გრძნობებად.

ს. ბ-ის როგორც სხვა ადამიანის, ისე საკუთარი თავის მიმართ ფორმირება გარკვეულ სოც.-ფსიქოლ. კანონზომიერებას ემსახურება. *შ. ნადირაშვილი.*

სოციალური დაზღვევა, სსრ კავშირში სახელმწიფოს მიერ დადგენილი სისტემა მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფისა მოხუცებულობაში, ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. შრომის კანონმდებლობის თანახმად, მუშა-მოსამსახურეთა ს. დ. ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. ს. დ-ის შესატანს იხდიან საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მუშების და მოსამსახურეების ხელფასიდან რაიმე დაქვითვის გარეშე. კოლმეურნეთა ს. დ. ხორციელდება კოლ-ბების სავალდებულო შესატანების ხარჯზე კოლმეურნეთა ინდივიდ. შემოსავლიდან რაიმე დაქვითვის გარეშე.

მუშა-მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს ს. დ-ის ხაზით ეძლევათ: *შემწეობა* დროებითი შრომისუუნარობის გამო, ქალებს, გარდა ამისა, ორსულობისა და მშობიარობის, აგრეთვე ბავშვის დაბადების გამო; *პენსიები* — მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, წელთა *ნამსახურობის* (ცალკეული კატეგორიის მუშაკთათვის) გამო. ს. დ-ის სახსრები გამოიყენება აგრეთვე ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახთა ბავშვებისათვის დახმარების გასაცემად, მუშა-მოსამსახურეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, პროფილაქტორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით მათი მომსახურებისათვის, სამკურნ. (დიეტური) კვებისათვის, პიონერთა ბანაკების შენახვისა და სხვ. ღონისძიებებისათვის.

ს. დ-ის ხაზით კოლმეურნეთა უზრუნველყოფის სახეებია: დახმარებანი დროებითი შრომისუუნარობის გამო, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა, კოლმეურნეებისა და მათი შვილების ორგანიზებული დასვენება, სამკურნ. (დიეტური) კვება, დახმარება დაკრძალვისათვის, კოლმეურნეთა უზრუნველყოფა პენსიით, დახმარებანი ორსულობისა და მშობიარობის გამო. ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახთა ბავშვებს ეხმარებიან კოლ-ბათა სოც. უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშ. ფონდის ხარჯზე.

კაპიტალ. ქვეყნებში მუდმივი ან დროებითი შრომისუუნარობის, უმუშევრობის, მარჩენალის დაკარგვისა და სხვ. შემთხვევებში ს. დ. მშრომელთა *სოციალური უზრუნველყოფის* ძირითადი ფორმაა; ბურჟ. ს. დ-ის მთავარი პრინციპია სადაზღვევო შესატანების დაქვითვა დაქირავებული მუშაკის ხელფასიდან. დასაქვითი თანხა მნიშვნელოვანია და უფრო და უფრო იზრდება.

ლიტ.: Андреев В. С., Право социального обеспечения в СССР, 2 изд., М., 1980; Социальное обеспечение и страхование в СССР. Сб. официальных документов с комментариями, М., 1972.

ლ. ადეიშვილი.

სოციალური დარვინიზმი, XIX ს. ბოლოსა და XX ს. 20-იან წლებში ბურჟუაზიული სოციოლოგიის მიმართულება, რ-იც ცდილობდა საზოგადოებრივი ცხოვრება აეხსნა ბუნებრივი შერჩევისა და არსებობისათვის ბრძოლის ბუნებრივი კანონებით. იკვლევდა სოც. კონფლიქტებს. იდეოლოგიური და პოლიტ. ორიენტაციის მიხედვით იყოფოდა რამდენიმე ნაკადად. ყველაზე რეაქციული ნაკადი შექმნეს ო. ამონმა, ჰ. ჩემბერლენმა, ჟ. ლაპუჟმა და სხვ., რ-ებიც ცდილობდნენ არსებობისათვის ბრძოლის პრინციპი უშუალოდ გადაეტანათ ჯგუფების, ხალხების, სახელმწიფოების ურთიერთობაზე. ს. დ-ის ზოგიერი ნაკადის წარმომადგენლები (ლ. გუმპლოვიჩი, უ. სამნერი, ა. სმოლი და სხვ.) დარვინის თეორიას განიხილავდნენ რევ. პროცესის უნივერს. მოდელის სახით და ცდილობდნენ მის გამოყენებას საზ-ბის მიმართ. ამასთან,სოც. მოვლენებისადმი ბიოლ. მიდგომა შერწყმული იყო საზ. ცხოვრების ფსიქოლოგიზაციის ტენდენციასთან.

ს. დ-ის წარმომადგენლებმა აღწერეს მრავალი კონფლიქტი, ყურადღება მიაქციეს მიბაძვის ფაქტორს საზ-ბაში, საფუძველი ჩაუყარეს ზნე-ჩვეულებებისა და ნორმების ჯგუფური ფსიქოლ. სოციოლოგიურ შესწავლას. მიუხედავად ამისა, მათი მოძღვრების რასისტული შინაარსი განაპირობებდა ს. დ-ის საერთო რეაქციულობას, რაც გამომდინარეობდა დარვინის მოძღვრების დამახინჯებული და ვიწრო გაგებიდან.

ლიტ.: ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; Кон И. С., Позитивизм в социологии, Л., 1964; Hofstadter R., Social Darwinism in American thought, rev. ed., N. Y., 1959.

„სოციალური დაცვის" თეორია, XX ს. ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული კონცეფცია, რ-იც დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა რადიკალურ რაციონალიზაციას მოითხოვს. 1954 სოც. დაცვის საერთაშ. საზ-ბის კონგრესზე ანტვერპენში მკვეთრად გამოიკვეთა ამ თეორიის 2 მიმართულება. პირველი — რეაქციული, რ-ის მეთაური და ფუძემდებელი იყო იტალ. ფ. გრამატიკა. ამ მიმართულების მიხედვით, უარყოფილია სისხლის სამართ. ისეთი ტრად. ცნებები, როგორიცაა „დანაშაული", „სასჯელი", „ბრალი" და სხვ. მათ ნაცვლად კი შემოაქვთ ცნებები *სოციოლოგიური სკოლის* არსენალიდან — „პიროვნების საშიში მდგომარეობა" და „სოციალური დაცვის უსაფრთხოების ღონისძიებანი", რაც ნიშნავს კანონიერების დაცვის ელემენტარული გარანტიების მოსპობას.

მეორე მიმდინარეობა, რ-ის მეთაურია ფრანგი მეცნიერი მ. *ანსელი*, შედარებით პროგრესულია. მას ძირითადი ყურადღება გადააქვს დამნაშავის პიროვნებაზე, მაგრამ მოითხოვს საკანონმდებლო წესით განისაზღვროს პიროვნების საშიში მდგომარეობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ავალდებულებს მოსამართლეს შეამოწმოს, არსებობს თუ არა ასეთი საშიშროება და დადებით შემთხვევაში გამოიყენოს სამკურნ. აღმზრდელობითი ან სხვაგვარი ღონისძიება. ფ. გრამატიკასა და მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით, „ახალი სოციალური დაცვის" თეორიის წარმომადგენლები არ უარყოფენ კანონიერების პრინციპს. ისინი ილაშქრებენ ზედმეტი ფორმალიზმის წინააღმდეგ და გამოდიან ე. წ. „დეიურიდიზაციის" ლოზუნგით.

ლიტ.: Ансель М., Новая социальная защита, пер. с франц., М., 1970.

ო. გამყრელიძე.

სოციალური მობილობა, ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის მიერ ადგილის შეცვლა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, მისი გადაადგილება ჯგუფიდან ჯგუფში ან ფენიდან ფენაში, ზემოდან ქვემოთ და პირიქით. ბურჟ. სოციოლოგიაში ს. მ-ის თეორიის ფუძემდებლად ითვლება პ. *სოროკინი*, რ-მაც ფაქტობრივად შექმნა პიროვნებათა მობილობის თვალსაზრისი. ამ სახით აღნიშნული თეორია *სოციალური სტრატიფიკაციის* თეორიის ნაწილად ითვლებოდა. მოგვიანებით დაიწყეს ლაპარაკი ჯგუფთა მობილობის შესაძლებლობაზეც, რაც გამოიყენეს კაპიტალიზმის დროს კლასების გაქრობის შესაძლებლობის დასასაბუთებლად. ამჟამად ს. მ-ის თეორია პრეტენზიას აცხადებს საზ-ბის დინამიკური სტრუქტურის კვლევაზე.

განასხვავებენ ორგვარ მობილობას: ჰორიზონტალურს, როცა ადამიანის ან ჯგუფის მდგომარეობა არსებითად არ იცვლება, და ვერტიკალურს, როცა არსებითი ცვლილება ხდება. სოციალ. საზ-ბაში ს. მ. ერთგვაროვნების შექმნის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 3; ასათიანი გ., თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ., 1976.

გ. ასათიანი.

სოციალური პრესტიჟი, მნიშვნელობა, ღირებულება, რ-საც საზოგადოებრივი აზრი მიაწერს ადამიანთა ამა თუ იმ საქმიანობას ან ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას, პროფესიას. ამა თუ იმ საზ-ბაში გაბატონებულ ღირებულებათა სისტემის, უფრო სწორად, ღირებულებათა რანგის მიხედვით პიროვნება ირჩევს პრესტიჟულ საქმიანობას, ქცევას. თუ საზ-ბაში ფულის, ფუფუნების, ნივთების კულტი გამეფებული, შესაბამისი იქნება ს. პ. და პირიქით, თუ გაბატონებულია საზო გადოებრივად სასარგებლო შრომა, პი როვნულზე მაღლა საზოგადოებრივის მი ჩნევა და ა. შ., პრესტიჟიც შესაბამის ქცევას, პროფესიას, საქმიანობას ექნება საზ-ბაში პიროვნებები ამის მიხედვით მოიპოვებენ ავტორიტეტს, პატივისცემას გავლენას. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ სოციალურად პრესტიჟული მოვლენები პიროვნების პროტესტს იწვევდეს, იგი მოვლენების საწინააღმდეგო მოქმედებას მიიჩნევდეს გამართლებულად. ასეთ შემთხვევაში პიროვნებასა და ს. პ-ს შორის წარმოიშობა კონფლიქტი და პიროვნებ შეიძლება ან მარტო დარჩეს, ან სხვები მხარდაჭერას მიაღწიოს და ასე ჩამოყალიბდეს ახ., სოციალურად პრესტიჟულ საქმიანობა. ეს კი შეიძლება გახდეს სოც პროგრესის ერთ-ერთი ფაქტორი.

ს. პ-ის საკითხი არსებითად დაკავშირებულია ცხოვრების წესის, ახალგაზრდობის მიერ მომავალი გზის ამორჩევის, პროფ. ორიენტაციისა და სხვა საკითხებთან.

ლიტ.: ახალგაზრდობის პრობლემები ზოგიერთი ასპექტი, თბ., 1978; Водзинская В. В., Социологический аспект проблемы выбора профессии, კრ.: Человек и общество, Л., 1969; Шубкин В. Н. Социологические опыты, М., 1973.

ვ. ქვაჩაძე.

სოციალური სტრატიფიკაცია (ლათ. stratum — ფენა და facio —ვაკეთებ), თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ცნება, რ-იც გამოყენებულია კაპიტალისტური საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი გათიშვის სოციალურ ფენებად დაყოფით შეცვლის მიზნით. უპირატესად კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ტერმინი „სტრატიფიკაცია" ალებულია გეოლოგიიდან და გამოიყენება საზ-ბის სოც. სტრუქტურის მიწის ქერქის დაფენიანების ანალოგიურად განხილვისათვის. ს. სოროკინი, ბურჟ. თვალსაზრისი პრეტენზიას აცხადებს თანამედროვე კაპიტალ. საზ-ბის სტატ. სტრუქტურის კვლევაზე.

სტრატიფიკაციის არც ერთი თანამედროვე ბურჟ. მოდელი არ იყენებს საზ-ბის ფენებად დაყოფის ზუსტ ლოგ. საფუძველს. პირიქით, დაყოფის საფუძვლად მიღებულია მრავალი განსხვავებული ფაქტორი (განათლება, საცხოვრ. რ-ნი, ფულის შემოსავალი და სხვ.) და ამდენად ს. თვითნებურადაა წარმოდგენილი. მაგრამ ყველგან უგულებელყოფილია საზ-ბის სოც. დაყოფისა და უთანასწორობის საფუძველი — კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე.

გ. ასათიანი.

სოციალური უზრუნველყოფა, სსრკ-ში მოხუცებულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა მატერიალური და დედათა და ბავშვთა ყოველმხრივი უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობის სოც.-ეკონ. ღონისძიებათა სახელმწიფო სისტემა (სსრკ კონსტ., მ. 43).

ს. უ-ის ფორმებს შორის მთავარია მუშა-მოსამსახურეთა სახელმწ. *სოციალუ*



სტ. ვ. სურიკოვი, „სტრელეცთა დასჯის დილა“ 1881. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



სტ. ჯ ტიეპოლო. „ორი წმინდანი" საკურთხეველის სურათის ესკიზი. ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი

დაზღვევა, კოლმეურნეთა სოც. დაზღვევა კოლმეურნეთა ს. შ-ის ცენტრალიზებული საკავშ. ფონდის ხარჯზე, ს. შ. სახელმწ. ბიუჯეტის პირდაპირ ასიგნებათა ხარჯზე; საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისა და აღზრდის სისტემა. ს. შ. სსრკ-ში ხორცთელდება სახელმწ. ან საზ. სახსრებით მუშაკის ხელფასიდან დაუქვითავად. მოქალაქეებს ეძლევათ *პენსია* ასაკის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო, *შეწყობა* შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის და სხვ. გამო; გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა, დასვენება სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში და ა. შ. ბავშვების რჩენა და აღზრდა ბავშვთა სახლებში, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში, ღრმად მოხუცთა და ინვალიდთა სახლებში მოთავსება, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ყოველთვიური და ერთდროული დახმარებანი და სხვ.

ს. შ-ის განხორციელებაში წამყვან როლს თამაშობს მოკავშირე რესპუბლიკების სოცუზრუნველყოფის სამინისტროები და მათი ადგილ. ორგანოები: სახ. დეპუტატთა საოლქო, სამხარეო, სარაიონო, საქალაქო საბჭოების აღმასკომთა სოცუზრუნველყოფის განყ-ბები, აგრეთვე საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები და სხვ. ს. შ-ის ორგანოები ნიშნავენ და გასცემენ პენსიებს, ყოველთვიურ და ერთდროულ დახმარებებს (მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, ბავშვობიდან ინვალიდებს და ა. შ.), უზრუნველყოფენ ნაწილობრივ შრომისუნარდაკარგულ პირთა მომზადებას შრომისათვის, მათ შრომითს მოწყობას და სხვ. ს. შ-ის მრავალი სახე მოქალაქეს ეძლევა უშუალოდ საზ. ორგანიზაციისაგან. სახელმწ. სოცდაზღვევის სახსრებს, რ-იც პროფკავშირთა გამგებლობაშია, მშრომელთა ფართო მონაწილეობით ხარჯავს ადგილ. და ზემდგომი პროფკავშირული ორგანოები სხვადასხვა სახის დახმარებების, მომუშავე პენსიონერთა პენსიებისა და სხვ. გაცემაზე.

ლიტ.: Андреев В. С., Право социального обеспечения в СССР, 2 изд., М., 1980.

ლ. ადეიშვილი,

სოციალური ურთიერთობანი, სისტემა ორ პარტნიორს შორის ნორმირებული ურთიერთქმედებისა განსაზღვრული პლატფორმის საფუძველზე. იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით: 1. A-ის მყოფება B-თან განსაზღვრულ ურთიერთობაში, თუ იგი საზ-ბაში დაკავებული მდგომარეობის გამო ან პირადი განწყობის საფუძველზე ექვემდებარება B-ს ანდა A-ს პირად განწყობას B-ს მიმართ. მყარი ს. შ. აღმოცენდებიან მიზეზობრივი დამოკიდებულების საფუძველზე. მაგ., მოცემულ შემთხვევაში A-ს მოქმედება, რ-იც ცვლის B-ს ქცევას ანდა განწყობას, იწვევს B-ს უკუქმედებას, რ-იც თავის მხრივ ცვლის A-ს განწყობასა და ქცევას. ურთიერთქმედება შეიძლება იყოს მყარი (მაგ., პოლიტ. ბრძოლა პარტიებს შორის) და დროებითი (დისკუსიები ანდა შემთხვევითი საუბრები); 2. A-სა და B-ს ურთიერთობა, აღმოცენებული შეგნებული მისწრაფებებისა და სუბიექტური განზრახვების გარეშე. 3. გაცნობიერებული, სუბიექტურად მიზანდასახული ურთიერთობა; 4. ს. შ. იმ ინდივიდებს შორის, რ-ებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული, მაგრამ ურთიერთვალდებულებებს ასრულებენ უფრო ვრცელი სისტემების საშუალებით.

ლიტ.: Рабочая книга социолога, М., 1977; Щепаньский Я. Ю., Элементарные понятия социологии, [пер. с польск.], М., 1969.

დ. ყარაულაშვილი,

სოციალური ურთიერთქმედება, სოციალური ურთიერთობის ისეთი ფორმა, როდესაც ადამიანები სოციალურ ჯგუფებში საქმიანობისას ურთიერთგავლენას განიცდიან. ადამიანები განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე ს. შ-ის პროცესში, რ-იც თანამშრომლობის, შეჯიბრებისა და ბრძოლის სახით მიმდინარეობს. თანამშრომლობის დროს, გარდა იმისა, რომ ხდება საქმიანობის გონივრული დანაწილება და შრომის ნაყოფიერების ზრდა, ადამიანებს უმუშავდებათ მსგავსი სოც. განწყობა სინამდვილის მოვლენებისადმი და დადებითი განწყობა ერთმანეთის მიმართ. შეჯიბრების დროს გამარჯვების მოპოვების სტიმული კიდევ უფრო ზრდის ადამიანთა შრომის ნაყოფიერებას, სოციალ. შეჯიბრებაში შესაძლებელი ხდება საქმიანობაში შეჯიბრების დადებითი ეფექტის შენარჩუნება და უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილება.

ლიტ.: ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975; Андреева Г. М., Социальная психология, М., 1980.

შ. ნადირაშვილი.

სოციალური ფენა, ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი, რ-საც სხვა ჯგუფისაგან განასხვავებს განსაზღვრული, მეტ-ნაკლებად მაღალი ან დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა (ქონებრივი, კულტ. და ა. შ.). ს. შ-ები ისეთი ერთობლიობებია, რ-ებიც განსაზღვრული შინაგანი კავშირებით არიან განმტკიცებული გარკვეული სოც. ამოცანის შესაბამისად. ცნება „ფენა" სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. მაგ., ეკონ. ფენა ერთნაირი შემოსავლის მქონე პირთა გარკვეული ერთობლიობაა, კულტ. ფენებად კი საზ-ბა იყოფა განათლების დონისა და კულტ. შემოქმედების სფეროს მიხედვით.

ლიტ.: Шибутани Т., Социальная психология, пер. с англ., М., 1969; Щепаньский Я. Ю., Элементарные понятия социологии, [пер. с польск.], М., 1969.

დ. ყარაულაშვილი,

სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ადამიანის ქცევათა სისტემას და მის საფუძვლად მდებარე იმ კანონზომიერებებს, რ-ებიც ელინდება სხვა ადამიანებთან, ჯგუფებსა და კოლექტივთან ურთიერთობაში. ს. ფ. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით განვითარდა II მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა საზ. ურთიერთობებში, წარმოებებში ადამიანის როლის გათვალისწინება. ს. ფ-მ სსრკ-ში 60-იანი წლებიდან დაიწყო ინტენსიური განვითარება. მას საფუძვლად დაედო პიროვნებისა და საზ-ბის ურთიერთობის ის სწორი მეთოდოლ. პრინციპები, რ-ებიც მარქსისტულ ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა. ს. ფ-ის ჯერ კიდევ ადრინდ. გამოკვლევებში ნათლად დამტკიცდა, რომ ადამიანის შრომითი და სხვა ფსიქ. აქტივობა უფრო ადვილად და ნაყოფიერად სრულდება მაშინ, როდესაც იგი სხვა ადამიანის თანდასწრებით ხორციელდება. დადგინდა ისიც, რომ ადამიანის საქმიანობა კიდევ უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობს, როდესაც მისი თანდასწრებით სხვა ადამიანებიც ასრულებენ თავიანთ სამუშაოს. ამ მოვლენას ს. ფ-ში „თანაარსებობისა" და „თანააქტივობის" ეფექტები უწოდეს. ასეთი ვითარება ხელსაყრელია ადამიანის ყოველი სახის ქცევისა და საქმიანობისათვის (გამონაკლისს წარმოადგენს ახ. მასალის შესწავლა).

ადამიანთა ურთიერთობის პროცესში მნიშვნელობა ენიჭება მიბაძვას, რ-ის საფუძველზე ადამიანები იძენენ თავიანთი გამოცდილების დიდ ნაწილს, რის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოც. ცხოვრება, სპეციფ. ადამიანური მოთხოვნილებებისა და მიზნების რეალიზაცია. მიბაძვა დიდ როლს ასრულებს ადამიანის შეხედულებების, განწყობისა და ორიენტაციის ფორმირებაში, რაც ს. შ-ში კონფორმულობის სახელითაა ცნობილი. იგი, ერთი მხრივ, სასარგებლოა, რამდენადაც აადვილებს ადამიანთა შეთანხმებულ სოც. საქმიანობას, ხოლო მეორე მხრივ, უარყოფითია, რადგან ახშობს პიროვნების დამოუკიდებლობას, ინიციატივას, ანელებს მის სოც. აქტივობას. საზ-ბა, კოლექტივი საგანგებო ღონისძიებებს მიმართავს, რათა გამოიყენოს კოლექტიური საქმიანობის დადებითი მხარეები და თავიდან აცილოს კონფორმულობის მავნე ეფექტები.

ს. შ-ში დადგენილ იქნა სოც. განმტკიცების კანონზომიერება, რაც არსებით გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე. როდესაც ადამიანები გარკვეულ საქმიანობას ეწევიან, მათი ქცევის, შეხედულებების, განწყობის, რწმენის ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს სხვა ადამიანების, კოლექტივის თანხმობა — უთანხმოების გამომხატველი რეაქციები. ამ კანონზომიერებათა საფუძველზე ნათელი ხდება ადამიანთა სოციალიზაციის პროცესის ს. შ-ის შინაარსი. დადგენილ იქნა ის ფსიქოლ. პირობები, რ-ებიც ზემოქმედებენ პიროვნების ცნობიერებაზე, განწყობასა და რწმენაზე. შესწავლილია აგრეთვე ადამიანთა თანამშრომლობა, შეჯიბრი და კონფლიქტი — ბრძოლა. აღმოჩენილია კანონზომიერებები, რ-ებიც განაპირობებენ ადამიანთა დადებითსა და უარყოფით ურთიერთობებს, მათ დამოკიდებულებებს ჯგუფებისა და კოლექტივების მიმართ, სოც. აქტივობას, საზ. საქმიანობაში ჩართულობის ხარისხს.

ს. შ-ში განსაკუთრებული ინტენსივობით შეისწავლება სოც. განწყობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ ადამიანების ქცევა საზ-ბაში—სოც. საქმიანობა, შრომა, შემოქმედება და სხვა განპირობებულია არა მარტო მისი ცოდნის სისტემით, არამედ მისი სოც. განწყობითაც, მისი ფსიქოლ. დამოკიდებულებითაც ამ საქმიანობის შესატყვისი ღირებულების მიმართ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ სოც. განწყობათა ერთობლიობა არსებითად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნების შინაარსს, მის ძირითად მისწრაფებებს, ტენდენციას. მათზეა დამოკიდებული პიროვნების იდეალები, რწმენა, იდეოლოგიური და მორალური ორიენტაცია, მოქმედება სოც. გარემოში. ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოც. განწყობათა ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებათა შესწავლას. მათი გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სოციალურად მომწიფებული პიროვნების ჩამოყალიბება, მასში საჭირო მორალური, იდეოლოგიური და სოც. ტენდენციების გამომუშავება, მავნე ტენდენციებისა და მისწრაფებების აღმოფხვრა.

საბჭ. ს. ფ-ის მიერ მოპოვებული კანონზომიერებების გამოყენებით შესაძლებელია საბჭ. ადამიანის ფსიქ. თვისებების ფორმირება, პიროვნების აღზრდის არსებითი ფსიქოლ. ასპექტების ორგანიზება.

ლიტ.: ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975; ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974; Андреева Г. М., Социальная психология, М., 1980; Социальная психология личности, под ред. М. И. Бобневой, Е. В. Шороховой, М., 1979; Шибутани Т., Социальная психология, пер. с англ., М., 1969.

შ. ნადირაშვილი.

სოციალური ძვრა, პიროვნების აქტივობა, რ-იც განსაზღვრულია პირადი მოთხოვნილებებისა და შესატყვისი სიტუაციების გარდა იმ სოციალური მოთხოვნებითაც, რ-ებსაც მას საზოგადოება უყენებს. საზ-ბაში ინდივიდს დაბადებისთანავე დახვედება გარკვეული როლების სისტემა და ცხოვრებაში მას მოუხდება სხვადასხვა როლის შესრულება. ამ პროცესში ადამიანი სწავლობს უფლება-მოვალეობათა გამოყენებას. იგი ჩაებმება როგორც პიროვნება და ითვალისწინებს საზ. შეხედულებებს, მორალურ და სხვა სოც. ნორმებს.

საზ-ბაში ადამიანები ერთმანეთზე დამოკიდებული არიან, ეგუებიან ერთმა-

ნეთს, რაც არსებით გავლენას ახდენს მათ ქცევაზე. ამ პროცესში ხდება პიროვნების მიერ სზ-ბის ამოცანებისა და მიზნების გათავისება. იგი ხდება სზ-ბის წევრი და მის მიზნებს ემსახურება. ს. *ძ*-ს, რ-იც სზ-ბის მოთხოვნების გავლენით ხორციელდება, წამყვანი ადგილი უკავია პიროვნების ცხოვრებაში. ის პრაქტ. ქცევაც, რ-იც ადამიანის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ს. *ძ*-ების სისტემას ემორჩილება, სოც. იერს იღებს. *შ. ნადირაშვილი.*

სოციალური ჯგუფი, შედარებით მყარი ერთობა იმ ადამიანებისა, რ-თაც აქვთ საერთო მიზნები, ღირებულებები და ქცევის ნორმები. განასხვავებენ დიდ, სშ. და მცირე ს. ჯ-ებს. დიდ ჯგუფში ადამიანები გაერთიანებული არიან გარკვეული ობიექტური თვისებების საფუძველზე. ინდივიდს, რ-იც ეკუთვნის დიდ ს. ჯ-ს, შესაძლებელია არ ჰქონდეს უშუალო კონტაქტი ამ ჯგუფის სხვა წევრებთან; შესაძლოა სულაც არ აცნობიერებდეს თავის კუთვნილებას ამ ჯგუფისადმი. მცირე ს. ჯ-ის სპეციფ. ნიშანია უშუალო კონტაქტები მის წევრებს შორის. განასხვავებენ ფორმალურსა და არაფორმალურ მცირე ჯგუფებს. პირველი მოქმედებს წინასწარ დადგენილი ინსტრუქციებითა და დებულებებით, მეორე კი ყალიბდება პირადი სიმპათია-ანტიპათიის საფუძველზე. *რ. ქვარცხავა.*

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი სსრ კავშირში, ეკონომიკური სტიმულირების ერთ-ერთი ფონდი, იქმნება საწარმოებში (გაერთიანებებში) და ორგანიზაციებში მოგების ანარიცხების ხარჯზე. ხუთწლიანსა და წლიურ გეგმებში მთლიანად სამინისტროსა (უწყების) და საწარმოების (გაერთიანებების) მიხედვით ს.-კ. ღ. და ს. მ. შ-ის გეგმურ (ან ფაქტობრივ) სიდიდეს განსაზღვრავენ დადგენილი ნორმატივების საფუძველზე პროცენტობით მატერ. წახალისების ფონდის მიმართ.

ამ ფონდს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საწარმოო კოლექტივების სოც. განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსების წყაროს (იხ. აგრეთვე *საწარმოს ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმა*).

სოციალ-ქრისტიანული პარტია ბელგიისა (სქპ; ფრანგ. Parti Social Chrétien; ფლამანდ. Kristelijke Volkspartij), დაარსდა 1945 კათოლიკური პარტიის ბაზაზე. აერთიანებს მსხვილი ბურჟუაზიისა და სამღვდელოების წარმომადგენლებს, აგრეთვე მშრომელ კათოლიკეთა ნაწილს. სქპ გამოდის კერძო საკუთრების დაცვის, „კლასობრივი თანამშრომლობის", დას. ქვეყნებთან „სოლიდარობის გაძლიერების" ლოზუნგებით; სარგებლობს კათოლიკ. ეკლესიის მხარდაჭერით. სქპ-ის წარმომადგენლები მრავალჯერ იდგნენ ბელგიის მთავრობის სათავეში (1980 წ. 18 მაისს შეიქმნა კოალიციური მთავრობა, რ-შიც სქპ-ც შედის). სქპ-ის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ნატოში, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებაში, „საერთო ბაზარსა" და „ევრატომში" ბელგიის შესვლას, ფორმალურად სქპ ერთიან პარტიად ითვლება, თუმცა 1968—69 პარტია გაითიშა. პარტიის ვალონურ ფრთას ისევ სქპ ჰქვია. თავ-რე ჟ. დეპრე (1981-მდე პ. ვ. ბუინანტსი), ხოლო ფლამანდურ ფრთას ეწოდა კათოლიკური სახალხო პარტია (1981 დეკ-მდე ლ. ტინდემანსი). თავ-რე ფ. სვალენი.

სოციალ-შოვინიზმი, ოპორტუნისტული მიმდინარეობა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში; სოციალ-შოვინისტები თავის ქვეყანაში ბურჟუაზიის შოვინისტურ (იხ. *შოვინიზმი*) პოლიტიკას ატარებენ. ს.-შ. განსაკუთრებით გამოვლინდა I მსოფლიო ომის დროს (1914—18), როდესაც II ინტერნაციონალის პარტიების ლიდერთა უმრავლესობამ უღალატა საერთაშ. პროლეტ. სოლიდარობის პრინციპებს, მხარი დაუჭირა თავისი ქვეყნის მთავრობის იმპერიალ. პოლიტიკას, მოუწოდებდა მასებს მიეღოთ იმპერიალ. ომში მონაწილეობა „სამშობლოს დაცვის" ლოზუნგით. ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის მეთაურობით გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ ს.-შ-ის წინააღმდეგ. ს.-შ. მემარჯვენე ს.-დ. პოლიტიკის მრავალ ასპექტში გამოვლინდა I მსოფლიო ომის შემდეგაც.

სოცინიანელობა, პოლონეთის რეფორმაციის (XVI ს. ბოლო — XVII ს. I ნახ.) რაციონალისტური მიმართულება. სახელი ეწოდა ერთ-ერთი მისი დამაარსებლის იტალ. ფ. სოცინის (Socyn, Socinus; 1539—1604, პოლონეთში 1579-იდან ცხოვრობდა) სახელის მიხედვით. ს-ის მთავარი ცენტრი იყო 1569 რაკოვში შექმნილი პოლ. ძმების თემი. 1602 აქვე შეიქმნა სკოლა („აკადემია"), რ-იც მრავალი ქვეყნიდან ასობით სტუდენტს იზიდავდა. ს-ის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია ფ. სოცინის, ი. ვოლკოგენის, ი. კრელის, ს. ფშიკოვსკის, ე. შლიხტინგის, ა. ვიშოვატისა და სხვ: თხზულებებში. სოცინიანელები, ისევე როგორც ყველა სხვა პოლ. ძმა, უარყოფდნენ *სამების* (ანტიტრინიტარიები იყვნენ), „პირველი ცოდვის" დოგმატებს; გამოდიოდნენ სინდისის თავისუფლების მოთხოვნით, დიდ ყურადღებას უთმობდნენ განათლებას, პროპაგანდას უწევდნენ საბუნებისმეტყველო-მათ. ცოდნას. ს-მ დიდი როლი ითამაშა ფილოს.-რელიგ. აზრის განვითარებაში. კათოლ. რეაქციის შედეგებით 1658 სეიმმა დადგენილება გამოიტანა სოცინიანელების რეჩ პოსპოლიტიდან განდევნის შესახებ. მათი უმრავლესობა ჰოლანდიაში დასახლდა.

სოციოლინგვისტიკა, სოციალური ლინგვისტიკა, ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ურთიერთმიმართებას ენასა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის; იკვლევს ენათა სოც. დიფერენციაციას და დიალექტებს, ორენოვნების საკითხებს (ბილინგვიზმის ტიპები, ენათა შორის ფუნქციების განაწილება, სესხება, ინტერფერენცია, ინოვაციების გავრცელების დინამიკა და ა. შ.). აღმოცენდა XX ს. 20-იან წლებში. თანამედროვე ს-ის თავისებურებაა სოციოლოგიაში შემუშავებული ზოგიერთი ცნებისა და კვლევის მეთოდის გამოყენება (მიკროჯგუფის ცნება, ადამიანის სოც. როლების რეპერტუარი და ა. შ.). გამოყენებითი ს. წყვეტს ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმვის ამოცანებს. იხ. *სოციოლოგიური სკოლები* ენათმეცნიერებაში.

ლიტ.: Дешериев Ю. Д., Социальная лингвистика, М., 1977; Шварцер А. Д., Никольский Л. Б., Введение в социолингвистику, М., 1978.

ბ. ბაგაევარიანი.

სოციოლოგია (ფრანგ. sociologie < ლათ. societas — საზოგადოება და ბერძნ. logos — სიტყვა, მოძღვრება; სიტყვასიტყვით — მოძღვრება საზოგადოების შესახებ), მეცნიერება საზოგადოების, როგორც მთლიანი სისტემის, ასევე ცალკეული სოციალური პროცესების, ინ-ტებისა და ჯგუფების შესახებ, რ-ებსაც განიხილავენ საზოგადოებრივ მთლიანობასთან კავშირში. სზ-ბის შესახებ შეხედულებები დასაბამიდან შედიოდა ფილოს. სისტემებში. ტრად. სოც.-ფილოს. პრობლემატიკის დაკონკრეტების, ზუსტი მეცნ. მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების, სოც. გამოკვლევების დამკვიდრებისა და განვითარების საფუძველზე ს. XIX ს. 60-იან წლებში დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა (ტერმინი ეკუთვნის ო. *კონტს*). მიუხედავად გარკვეული დამსახურებისა, ვერც თ. კონტმა, ვერც ა. სენ-სიმონმა, ვერც ჰ. სპენსერმა და ვერც სხვებმა ვერ შეძლეს სზ-ბის ისტ. გაგებაში თავი დაეღწიათ იდეალ. შეცდომისაგან. მეცნ. ს-ის ჩამოყალიბება კ. მარქსის სახელთანაა დაკავშირებული: ვ. ი. ლენინი კ. მარქსის დამსახურებას ადარებდა დარვინის მიერ ბუნების გაგებაში მოხდენილ გადატრიალებას. სზ.-ეკონ. ფორმაციის ცნების ჩამოყალიბება; ფორმაციის განვითარების ბუნებრივ-ისტ. პროცესად გაგება საფუძვლად დაედო ს-ის მეცნ. ნიადაგზე დაფენებას, ისტ. მატერიალ. გაგებას (იხ. *ისტორიული მატერიალიზმი*).

• მარქსისტული და ბურჟ. ს-ის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი დაპირისპირება არ გამორიცხავს არც იმას, რომ მარქსიზმმა თვალსაჩინო გავლენა იქონია ბურჟ. ს-ის ბევრ დიდ წარმომადგენელზე, არც იმას, რომ მარქსისტულმა ს-მ კრიტიკულად გადამუშავებული სახით გამოიყენა ბურჟ. ს-ის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიური ცნებითი აპარატი, კვლევის მეთოდები და ა. შ. ჯერ კიდევ კ. მარქსი საფუძვლიანად აკრიტიკებდა ო. კონტისა და ჰ. სპენსერის შეხედულებებს, ვ. ლენინმა ასევე გააკრიტიკა ნ. მიხაილოვსკისა და სხვა ნაროდნიკი სოციოლოგების თვალსაზრისი. თავის მხრივ XIX ს. II ნახევრის და XX ს. ბურჟ. სოციოლოგები საკუთარ თეორიებს მარქსიზმთან დაპირისპირებით აყალიბებდნენ. ეს თეორიები, ცხადია, ერთმანეთსაც უპირისპირდებიან.

ო. კონტმა (1798—1857) პოზიტივისტური ს-ის შექმნით სცადა ამ მეცნიერებისათვის მიენიჭებინა სრული სიზუსტე. ის შეეცადა ეჩვენებინა სოც. ცვლილებების კანონზომიერი ხასიათი, რასაც ვერ ხედავდნენ მისი წინამორბედები. ო. კონტმა დაუპირისპირდა სპეკულაციურ-მჭვრეტელობითსა და თეოლ. მიდგომას საზოგადოების გაგებაში, თუმცა პოზიტივისტური იდეალ. შეზღუდულობის გამო მან ვერ შეძლო ს-ის მეცნიერულობის მოთხოვნის განხორციელებინა. ჰ. *სპენსერი* ცდილობდა ერთმანეთთან შეერწყა სზ-ბის სადმი ისტ.-ევოლუციონისტური და სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა.

თვალსაჩინო როლი მიეკუთვნება ფსიქოლოგიურ ს-ს. გერმ. ფსიქოლოგმა ვ. *ვუნდტმა* სცადა დაემტკიცებინა, რომ მთელი ჩვენი ფილოსოფია არის თანამედროვე ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიზმი ზოგად ტენდენციად იქცა განსაკუთრებით (ი. ფ. ფრისი, ფ. ე. ბენეკე), ლოგიკაში (კ. ზიგვარტი, თ. ლიფსი), ესთეტიკაში (ე. ფეხნერი, თ. ლიფსი), ლინგვისტიკაში (ჰ. შტაინთალი), ლიტერატურათმცოდნეობაში (ი. ტენი). ეს ტენდენცია გამოვლინდა ს-შიც, სადაც მისი ტიპური წარმომადგენლები არიან ამერ. სოციოლოგები ლ. ფ. უორდი და ფ. გიდინგზი. მაგ., ფ. გიდინგზის აზრით, სზ-ბა არის ფსიქ. მოვლენა, რ-საც ფიზ. პროცესები განსაზღვრავენ.

ფსიქოლოგისტურ ს-ში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. ინსტინქტივიზმს (ინგლ. უ. მაკდუგალი, ზ. ფროიდი და სხვ.), რ-ის მეცნ. სისუსტეს ისიც ადასტურებს, რომ მისი სხვადასხვა წარმომადგენელი ასახელებს სხვადასხვა დ. განსხვავებული რაოდენობის ინსტინქტებს (ზოგიერთის გამოთვლით, სზ. ცხოვრების განმსაზღვრელად გამოცხადებული ინსტინქტების რაოდენობამ 15 ათასს გადააჭარბა). ამასთან ინსტინქტების კატეგორიაში ნაგულისხმებია სრულიად განსხვავებული მოვლენები: მოთხოვნილებები, ჩვევები, აფექტები, განწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ფროიდის ფსიქოანალიზმმა და განწყობის თეორიებმა სერიოზული გავლენა იქონიეს ს-ის, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიის სოციალურად განვითა

რებაზე. ასევე ყურადღებას იმსახურებს „ხალხთა ფსიქოლოგიის" მიმართულება (ჰ. შტაინთალი, ა. ლაზურსკი, ვ. ვუნდტი), რ-იც ეთნოგრაფიულ, ფსიქოლ., ენათმეცნ., ისტ.-ფილოს., ანთროპოლ. მონაცემთა ფაქტისებური სინთეზია. მან განაპირობა დიდი მომავლის მქონე კომპლ.-ინტერდისციპლინური კვლევა-ძიება, ინდივიდ. ფსიქოლ. ვიწრო ჰორიზონტის გადალახვა და საზ. ცნობიერების კვლევისადმი ინტერესის გაღვივება, ემპირიული გამოკვლევების პერსპექტიულობის გამოვლენა.

ინდივიდ. ცნობიერების მიმართ კოლექტ. წარმოდგენების პრიმატს ასაბუთებს ფრანგი სოციოლოგი ე. *დიურკჰაიმი*, რ-ის „სოციოლოგიზმის" მიხედვით, ინდივიდს მზა სახით ეძლევა ჩვეულები და კანონები, ქცევის წესები და ნორმები, ენა და ურთიერთობის სისტემები და ა. შ, ეს არის კოლექტ. ცნობიერების ფორმები, სოც. ფაქტი, რ-ის შესწავლა ს-ის ამოცანაა. სოც. რეალობის სწორი გაგებისათვის ს. უნდა გაეთიშოს იდეალისტურ-სპეკულაციურ მეტაფიზიკას (ფილოსოფიას) იმ მიზნით, რომ შეიქმნას სოციოლოგიურად დაფუძნებული ფილოსოფია. დიურკჰაიმის თეორიას უპირისპირებენ მ. ვებერის, ვ. პარეტოს, აგრეთვე გ. ზიმელისა და სხვების თეორიებს. როგორც ე. დიურკჰაიმი, ისე ყოველი მათგანი იცნობდა და მეტ-ნაკლებად იყენებდა (უფრო მეტად კი ებრძოდა) მარქსისტულ ს-ს.

გერმ. სოციოლოგი გ. ზიმელი სოციოლოგიური მეთოდის ამოცანად სახავდა მოვლენებისაგან ზოგად ს-ის გამოყოფას და მისი კანონზომიერების შესწავლას. იგი განიცდიდა მარქსის ძლიერ გავლენას და აღიარებდა კიდეც მას, მაგრამ მაინც მარქსიზმის საწინააღმდეგო თეორიის შექმნას ცდილობდა. იგივე ითქმის მ. ვებერის, ვ. პარეტოს, ე. დიურკჰაიმის, ფ. ტენისისა და სხვების შესახებ.

მარქსისტული და ბურჟ. ს-ის მიმართების პრობლემა უაღრესად რთულია. XIX ს-ში და XX ს. დასაწყისში ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ბურჟ. აკად. წრეებში ჯერ კიდევ ცუდად იცნობდნენ მარქსისტულ ს-ს. ს. საერთოდ ის იყო იკიდებდა ფეხს უნ-ტებში, მარქსიზმი კი მათთვის ჯერ კიდევ ეკონ. მატერიალიზმის სახით, და მაშასადამე, ეულგარულად იყო გაგებული.

1918 „საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის" შესახებ დადგენილების შემუშავებისას ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მეცნ. კვლევის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მრავალი სოც. გამოკვლევის ჩატარება. 20—30-იან წლებში სოციოლოგიურ, სოც.-ფსიქოლ. და სხვა ხასიათის გამოკვლევებს ატარებდნენ ს. სტრუმილინი, ლ. მინცი, ვ. ზაიცევი, ს. ვოლფსონი, ლ. ვიგოტსკი და სხვები. ამ პერიოდშიც და შემდეგაც, განსაკუთრებით 50—60 წლებში, ძრდესაც ამ სფეროში განსაკუთრებული პროგრესი განიცადა, სოციოლოგიური კვლევა-ძიება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონ., სტატისტ., ფილოს., ფსიქოლ.-პედ., იურიდ., ისტ.-ეთნოგრ., დემოგრაფიულ გამოკვლევებთან. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ს. წარმოიშვა და ვითარდება სხვა (მაგ., მათ.) მეცნიერებებთან კავშირში. ს-ის სტრუქტურა მოიცავს როგორც ზოგად (ისტ. მატერიალიზმი), ისე სპეც. თეორიას და კონკრ.-ემპირიულ (ძირითადად გამოყენებითი ხასიათის) გამოკვლევებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ს-ის კვლევა-ძიების სფერო განსაკუთრებით ვრცელია. როგორც სჭზ. მოვლენებია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ასევეა დაკავშირებული მათი შემსწავლელი სოციოლოგიური გამოკვლევებიც, მაგრამ ესა თუ ის სფერო მეტ-ნაკლებად სპეციფიკურია. ამიტომ გამოიყოფა ქალაქის, სოფლის, ოჯახისა და ყოფის, ახალგაზრდობის, მორალის, ხელოვნების, მეცნ., ფიზ კულტურისა და სპორტის, თავისუფალი დროისა და დროის ბიუჯეტის, მასობრივი კომუნიკაციების ს. და ა. შ. სოციალ. საზ-ბის განვითარების მოთხოვნილებებმა განსაზღვრა სოციოლოგიური გამოკვლევების ახ. სფეროები, როგორიცაა შრომითი კოლექტივების სოც. განვითარების, სოც. ეკოლოგიის, ცხოვრების სოციალ. წესისა და სხვა საკითხების შესწავლა. მუშავდება სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლ., მეთოდიკისა და ტექ., აგრეთვე ს-ის ისტ. საკითხები. მრავალ სამეცნ.-საკვლევ დაწესებულებას შორის ძირითადია სსრკ მეცნ. აკად. სოციოლოგიური გამოკვლევების ინ-ტი (ჩამოყალიბდა 1968), რ-საც დამოუკიდებელ მეცნ. მუშაობასთან ერთად ევალება გამოკვლევების კოორდინაცია კავშირის მასშტაბით. ინ-ტი მეცნიერ-სოციოლოგთა კადრებს ამზადებს ასპირანტურის მეშვეობით. სოციოლოგიური გამოკვლევები მიმდინარეობს სსრკ მეცნ. აკად. სოც.-ეკონ. პრობლემების ინ-ტში, მრავალ ლაბორატორიაში, უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე, სსრკ მეცნ. აკად. ცემბირისა და ურალის ცენტრებში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში.

1958 ჩამოყალიბდა საბჭ. სოციოლოგიური ასოციაცია, რ-იც აერთიანებს რეგიონალურ და რესპუბლიკურ გაწყ-ბებს, 3 ათეულზე მეტ სამეცნ.-კვლ. სექციას. 1975 საქ. კპ ცკ-თან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭო, რ-იც 1981 რეორგანიზებულ იქნა საზ. აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრად. 1974-იდან გამოდის სპეც. ჟურნალი „Социологические исследования".

საქართველოში ს-ის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა ძირითადად საკავშიროს ანალოგიურია (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი მეცნიერება).

ლიტ.: გუგუშვილი პ., სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. 1—2, თბ., 1970—71; ვაჩეიშვილი ა., მცირე სოციალურ ჯგუფთა გამოკვლევის მეთოდური საკითხები, თბ., 1973; ზდრავომისლოვი ა., სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975; თოთაძე ა., ახალგაზრდობის სოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1977; კაკაძე ა., საქართველოს მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია, თბ., 1977; ლომთათიძე ჭ., მრეწველობის მუშაკთა ცხოვრების წესი, თბ., 1975; მენაბდიშვილი ე., ეროვნულ ურთიერთობათა ადგილი შრომითი კოლექტივების სოციალურ სტრუქტურაში, თბ., 1975; მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციოლოგიური საკითხები, თბ., 1976; საზოგადოებრივი აზრი და სოციალური განვითარების პროცესების კონკრეტული შესწავლა, თბ., 1978; სოციოლოგიური გამოკვლევები, [ტ.] 2, თბ., 1976; სოციოლოგიური ნარკვევები, თბ., 1969; შამათავა ო., ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციოლოგიის საკითხები, თბ., 1976; ხაბურზანია ლ., შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დაგეგმვა, თბ., 1976; Беккер Г., Боскоф А. (сост.) Современная социологическая теория., М., 1961; История буржуазной социологии XIX — начала XX века, М., 1979; Мегрелидзе К. Р., Основные проблемы социологии мышления, [2 изд.], Тб., 1973; Проблемы социальной психологии, Тб., 1976; Рабочая книга социолога, М., 1976; Социологические исследования, Тб., 1971; Щепаньский Я. Ю., Элементарные понятия социологии, [пер. с польск.], М.,1969.

ვ. ქვაჩახია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია, მოძღვრება კვლევის მეთოდებისა და საშუალებების სისტემის, სტრუქტურის, ორგანიზაციისა და რეგულირების შესახებ. ისტ. მატერიალიზმი, როგორც ზოგადსოციოლოგიური თეორია და სოც. შემეცნების მეცნ. მეთოდოლოგია, განსაზღვრავს სოციოლოგიური კვლევის პრინციპებს: საზ-ბის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებათა ობიექტურობას, საზ. ცხოვრების მოვლენებისა და პროცესებისადმი კონკრ. ისტ მიდგომასა და პარტიულობას. მარქსისტული სოციოლოგია მოიცავს სპეც. სოციალ თეორიებსაც (ე წ .შუა რგოლის თეორიები"), რ-თა მეშვეობით ხორციელდება კვლევის მეთოდოლ.-მეთოდიკური საკითხები ცნებითი აპარატის დამუშავება, ემპირიული ინფორმაციისა და კვლევის შედეგების პირველადი თეორ. გააზრება ინტერპრეტაცია. გ. ლოგუა.

სოციოლოგიური გამოკვლევის ტექნიკა, კვლევის პროგრამის განხორციელების პროცედურა; შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: საკვლევი პრობლემების დასაბუთება, კვლევის ობიექტისა და საგნის შერჩევა, კვლევის ამოცანის დახასიათება, ძირითადი ცნებების დაზუსტება, საკვლევი ობიექტის წინასწარი ანალიზი, ჰიპოთეზის ფორმულირება, კვლევის პრინციპული და სამუშაო გეგმების შედგენა, ინფორმაციის მოცემის მეთოდებისა და ტექ. საშუალებების დადგენა, შერჩევა და მისი რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფა, სასინჯი გამოკითხვა და მისი შედეგების მიხედვით სამუშაო გეგმის, მეთოდიკის, ანკეტების, ტექსტებისა და სხვ. კორექტირება, ძირითადი გამოკვლევის ჩატარება, მონაცემების დამუშავება-ანალიზი. ამისათვის საჭირო ადეკვატური ტექ. საშუალებების (ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, სკალები, გრაფები და სხვ.) შერჩევა. გ. ლოგუა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები,

1. **დოკუმენტის ანალიზის მეთოდი.** მისი ძირითადი სახეებია კლასიკური ანუ ტრადიციული და ფორმალიზებული ანუ კონტექსტ-ანალიზი ტრად. ანალიზი თავის მხრივ მოიცავს ორ ქვესახეს: ისტ. კონტექსტისა და შინაარსის ანალიზს. დოკუმენტის ტრად. ანალიზის ძირითადი დანიშნულებაა შინაარსის ლოგიკური გააზრებითა და ინტერპრეტაციით მასში მოცემული სიღრმისეული კომპონენტების წარმოჩენა. კონტექსტ-ანალიზის დანიშნულებაა რაოდენობრივი მეთოდებით დოკუმენტის თვისებრივ-შინაარსობრივი გაზომვა.

2. **დაკვირვების მეთოდი.** მისი სახეებია არასაკონტროლებელი დაკვირვება (ხორციელდება გეგმის გარეშე), საკონტროლებელი (ხორციელდება წინასწარ შედგენილი გეგმით), ჩართული ანუ მონაწილე დაკვირვება (დამკვირვებელი უშუალოდ მონაწილეობს შესასწავლ პროცესში), არაჩართული ანუ არამონაწილე (მკვლევარი გარედან აკვირდება მოვლენას), სავველე დაკვირვება (ხორციელდება რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციაში), ლაბორ. დაკვირვება (დაკვირვების პირობები და სიტუაცია განისაზღვრება მკვლევრის მიერ), სისტემ. დაკვირვება (დროის გარკვეულ მონაკვეთში შესასწავლი პროცესის რეგულარული ფიქსირება), შემთხვევითი დაკვირვება (დაკვირვება წინასწარ დაუგეგმავ მოვლენაზე თუ სიტუაციაზე).

3. **გამოკითხვის მეთოდი.** პირველადი ინფორმაციის მოპოვების საშუალება; ორი სახისაა: ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუირება.


4. **კოლექტივების სტრუქტურული ანალიზის მეთოდები.**

5. **ექსპერიმენტი,** შესასწავლ ობიექტზე საკონტროლებელი, მართვადი ფაქტორების ზემოქმედებით ამ ობიექტის რაოდენობრივ-თვისებრივი ცვლილების კანონზომიერების შესწავლის მეთოდი.

ლიტ.: ვაჩეიშვილი ა., მცირე სოციალურ ჯგუფთა გამოკვლევის მეთოდური საკითხები, თბ., 1973; ზდრავომისლოვი ა., სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975.

გ. ლოგუა.

სოციოლოგიური სკოლა სამართალში, ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმარ-



ციმბირული სოჭი (Abies sibirica); ა—ტოტი მიკროსტრობილებით; ბ—სათესლე გირჩის ღერძით; დ—სათესლე ქერქლი; ე—მფარავი ქერქლი; ვ—თესლი; ზ—სათესლე ქერქლი თესლებით.

თულება XX ს-ში. ს. ს. უარყოფს სამართლის შესწავლის ფორმალურ-ლოგიკურ მეთოდს და მის ნაცვლად ეყრდნობა სოციოლოგიურ მეთოდს, რ-ის საშუალებითაც ცდილობს დაჩრდილოს სამართ. ფორმა. ს. ს-ის მიხედვით, სამართალი არის არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა, არამედ კონკრ სამართ. ურთიერთობანი. „წიგნის სამართალს“— კანონმდებლობას, კოდექსებს — უპირისპირდება „ცოცხალი სამართალი“, ე. ი. სამართალი, რ-იც რეალურად ხორციელდება ცხოვრებაში. ეს მიმართულება განსაკუთრებით გამოიკვეთა ავსტრიაში (ე. ერლიხი, გ. კანტოროვიჩი); გერმანიაში მისი მიმდევრები იყვნენ ე. იუნგი, ე. ფუქსი; საფრანგეთში — ფ. ჟენი, რ. სალეილი და სხვ. ფართოდ გავრცელდა აგრეთვე აშშ-ში (რ. პაუნდი, ო. ჰოლმზი, ბ. კარდოზო და სხვ.) ს. ს. პრაგმატიზმის ფილოსოფიას ეყრდნობა ე. წ. „რეალისტურმა“ მიმართულებამ (იხ. რეალისტური სკოლა) აბსურდამდე დაიყვანა სამართ. როლი საზ-ბაში. სოციოლოგიურმა იურისპრუდენციამ სამართალშემოქმედებითი საქმიანობა სასამართლოს დააკისრა, რაც ფართო გასაქანს აძლევს მოსამართლის თავისუფალ მიხედულობას და ხელს უწყობს კანონიერების პრინციპის რღვევას.

ლიტ. Луковская Д И., Социологическое направление во французской теории права, Л 1972; Туманов В. А., Буржуазная правовая идеология. К критике учений о праве, М., 1971

ო. გამყრელიძე.

სოციოლოგიური სკოლა სისხლის სამართალში, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, რ-იც აღმოცენდა XIX—XX სს მიჯნაზე. ამ პერიოდის ს. ს-ის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფ. ლისტი (გერმანია), ჟ. ლაკასანი, გ. ტარდი (საფრანგეთი), ა. პრინსი (ბელგია), გ ვან ჰამელი (ნიდერლანდი), რუსეთში — ი ფოინიცკი, მ. ჩუბინსკი, ს. პოზნიშევი. თვით სახელწ. „ს. ს.“ იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულობის პრობლემის გადაწყვეტას იგი ეძებს სოც. სინამდვილეში. დანაშაულობის წარმომშობ მიზეზად გამოცხადებულია სოც. ფაქტორები. ანთროპოლოგიური სკოლის საპირისპიროდ, ს. ს-ის ლოზუნგია „დამნაშავეებად კი არ იბადებიან, არამედ იქმნებიან“. მაგრამ მალე ს. ს-ის ბევრმა წარმომადგენელმა სოც. ფაქტორებთან (გაჭირვება, უმუშევრობა, ცუდი საბინაო პირობები, პროსტიტუცია და სხვ.) ერთად დანაშაულობის მიზეზად ბიოლ. (მ. შ. მემკვიდრეობითიც) და აგრეთვე ფიზ. (გეოგრ გარემო, წლის დროთა ცვალებადობა, კლიმატი) ფაქტორებიც მიიჩნიეს. ს. ს-ის მეორე ძირითადი თავისებურება (რითაც იგი განსხვავდება კლასიკური სკოლისაგან) ისაა, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლად თვლის არა ჩადენილ დანაშაულს, არამედ სამართალდამრღვევის პიროვნებას, მისი საზ. საშიშროების ხარისხს, რ-იც პიროვნების სოც., ფსიქ. და სხვ. თვისებებით განისაზღვრება; წარსულისადმი მიმართული „სასჯელი — სამაგიეროს მიზღვა“ უნდა შეიცვალოს მომავლისადმი მიმართული სოც. დაცვის ღონისძიებებით, რ-იც დამნაშავეს იმ მიზნით შეეფარდება; რათა მან მეტად აღარ ჩაიდინოს დანაშაული. ამ კონცეფციის თანამიმდევრული განხორციელება გამოიწვევდა სისხლის სამართ. კოდექსის გაუქმებას (რ-შიც ზუსტადაა განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა) და პასუხისმგებლობის ერთადერთ კრიტერიუმად პიროვნების საზ. საშიშროების ცნების გამოცხადებას. ეს კი შეარყევდა კანონიერების პრინციპს და დაარღვევდა პიროვნების უფლებათა გარანტიებს. ს. ს-ის წარმომადგენლებმა თავიანთი მოთხოვნების პროგრამაში არ შეიტანეს ყოველივე ის, რაც ლოგიკურად გამომდინარეობდა მათი ძირითადი დებულებებიდან და სისხლის სამართ. ანთროპოლოგიური და კლასიკური სკოლების მთელი რიგი დებულებების გაზიარების შემდეგ კომპრომისისა და ეკლექტიზმის გზას დაადგნენ.

ს ს-ის იდეები აშშ-შიც გავრცელდა. ჩამოყალიბდა დანაშაულობის მიზეზების განმსაზღვრელი სხვადასხვა ნეოსოციოლოგიური კონცეფცია: მაგ., „სოციალური დეზორგანიზაციის თეორია“, რ-საც დანაშაულობის საფუძვლად მიაჩნია სახელმწ. და საზ. ინ-ტების ცუდი ორგანიზაცია, საზ. კონტროლის შესუსტება, ოჯახური ურთიერთობის დარღვევა და ა. შ. (ე. სადერლენდი, დ. ტაფტი); „კულტურათა კონფლიქტის თეორია“, რ-საც მიაჩნია, რომ საზ-ბაში არსებობს მრავალრიცხოვანი ჯგუფები ადამიანებისა, გაერთ. რასობრივი, ეროვნ., პროფ., რელიგ. და მათთვის საერთო სხვა ინტერესებით. თითოეულ ჯგუფს აქვს საკუთარი „სუბკულტურა“, რ-იც ანტაგონიზმშია სხვა ჯგუფების „სუბკულტურებთან“, რაც იწვევს კონფლიქტს არა მარტო ჯგუფურ, არამედ ინდივიდ ურთიერთობებშიც. ეს კი ხშირად დანაშაულში გადადის (ტ. სელინი).

ს. ს-ის ყველა კონცეფცია, მ. შ. ნეოსოციოლოგიურისაც, ერთი და იმავე ძირითადი მანკიერებით ხასიათდება. იმის ნაცვლად, რომ ახსნან ბურჟ. საზ-ბაში დანაშაულობის გადამწყვეტი ნამდვილი მიზეზი, მისი სოც.-ეკონ. სტრუქტურა, კლასობრივი წინააღმდეგობანი, ისინი ცდილობენ დაადგინონ დანაშაულობის ერთმანეთისაგან იზოლირებული მრავალი ფაქტორი, რ-იც ძირითადი მიზეზებიდან წარმოიქმნება.

ლიტ. Гернсензон А. А., Введение в советскую криминологию, М., 1965; Социология преступности, М., 1966.

ვ. ბაგაშვილი.

სოციოლოგიური სკოლები ენათმეცნიერებაში, შეისწავლიან ურთიერთმიმართებას ენასა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის. ჩამოყალიბდა ენის სოც. ასპექტების კვლევისას ენათმეცნიერების, სოციოლოგიის, სოც. ფსიქოლ. და ეთნოგრ. მონაცემთა გათვალისწინებით (იხ. სოციოლინგვისტიკა). ენათმეცნიერებაში სოციოლოგიური თალსაზრისის განვითარებას ხელი შეუწყო ფრანგ. ს. ს-მა (ფ. დე სოსიური, ა. მეიე, მ ბრეალი, ა. დოზა და სხვ.), რ-იც ემყარებოდა ო. კონტისა და ე. დიურკჰაიმის პოზიტივისტურ სოციოლოგიას, აგრეთვე ამერ ეთნოლინგვისტიკამ (ფ. ბოასი, ვ. სეპირი და სხვ.), ლაიფციგის სკოლის დამაარსებელმა გერმ. მეცნ. თ. ფრინგსმა, პრაღის საენათმეცნიერო სკოლამ (ე. მათეზიუსი, ბ. ჰავრანეკი და სხვ.). რუსეთში XX ს. 20—30-იან წლებში ს. ს-ს საფუძველი ჩაუყარეს ლ. იაკუბინსკიმ, ვ. ვინოგრადოვმა, ვ. ჟირმუნსკიმ რ. შორმა, ე პოლივანოვმა. საბჭ. ს ს., დასავლურისა და ამერიკულისაგან განსხვავებით, რ-ებიც ემყარებიან ბიჰევიორიზმს, ფენომენოლოგიას ვულგარულ სოციოლოგიას და სხვ., ეფუძნება ისტ. მატერიალიზმს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, მის როლს საზ-ბისა და ერების განვითარებაში; ენობრივი პოლიტიკის სწორ წარმართვას ერებისა და მათი ენების თანასწორუფლებიანობის დაცვის პრობლემებიდან. საქართველოში ენის სოც. ბუნებას თეორიულად შეისწავლის არნ. ჩიქობავა. 20-იანი წლებიდან მოკიდებული დღემდე შეიქმნა მთელი რიგი კომისიები, რ-ებიც აწესრიგებენ ქართ. ენის ნორმებს, უზრუნველყოფენ მის ფუნქციონირებას და განვითარებას. მათ მუშაობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქ. ლომთათიძე და სხვ. 50-იან წლებში საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაარსდა თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია.

ლიტ.: ჩიქობავა ა., ზოგადი ენათმეცნიერება, [ტ.] 2, თბ., 1963; Дешериев Ю. Д., Социальная лингвистика, М., 1977; Язык и общество, М., 1968; Швейцер А. Д., Вопросы социологии языка в современной американской лингвистике, Л., 1971; Новое в лингвистике, пер. с англ., в. 7, М., 1975.

მ. მაჭავარიანი.

სოჭი (Abies), მერქნიან მცენარეთა გვარი ფიჭვისებრთა ოჯახისა. ტანმაღალი, მარადმწვანე ხეებია. 50-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში. სსრკ-ში 9-მდე სახეობა იზრდება. საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია მხოლოდ 1 სახეობა — *კავკასიური სოჭი* და ინტროდუცირებულია 13 სახეობა. ს. ჩრდილის ამტანი და სინესტის მომთხოვნია. ახალგაზრდა ხე ნელა იზრდება, ცოცხლობს 500—800 წლამდე. მრავლდება თესლით და გადაწვენით. მისი მერქანი რბილი, მჩატე და ნაკლებგამძლეა, ძირითადად იხმარება ქაღალდის წარმოებაში, სამშენებლო და სარეზონანსო მასალად. ლამაზი დეკორ. ხეა, ბაღ-პარკებში აშენებენ უმეტესად მის მტირალა, ხშირტოტიან და ნაირფერწიწვიან ფორმებს.

ი. აბაშიძე.

სოჭი, ქალაქი რსფსრ კრასნოდარის მხარეში, სსრკ-ში უდიდესი კლიმ., ბალნეოლ. და ტალასით სამკურნ. კურორტი. მდებარეობს შავი ზღვის ნაპირას კავკასიონის შტოქედების კალთებზე. დიდი ს. გადაჭიმულია თითქმის 150 *კმ*-ზე, მდ. შეფსიდან მდ. ფსოუმდე. მოსახლ. 304 ათ. კაცი (1983). ს-ის ტერიტორიას კვეთს სარკინიგზო ხაზი (დონის როსტოვ—სამტრედია) და შავიზღვისპირა გზატკეცილი (ნოვოროსიისკ—ბათუმი). საზღვაო ნავსადგური, დიდი აეროპორტი (ადლერი).

ს-ში ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 25—28°C). რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 6°C). ნალექები 1400 *მმ* წელიწადში. ზღვის წყლის ტემპ-რა ზაფხულში 24—26°C. სამკურნ. საშუალება: სულფიდურ, ჰიდროსულფიდურ-გოგირდწყალბადიანი, იოდ-ბრომიანი მინერ. წყლები (მაცესტა, ხოსტა, კუდეფსტა, მამაიკა), რ-ებიც იხმარება აბაზანებისათვის, საინჰალაციოდ, შესასხურებლად და სხვ. ადლერის რ-ნში სამკურნალოდ იყენებენ ადვილ. შლამის ტალახს; კლიმატო-თალასოთერაპია, ზღვაში ბანაობა (მაის-ოქტ.). სამედ. ჩვენებაა: გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-სამოძრაო აპარატის, გინეკოლ., კანის დაავადებანი და სხვ.; ადლერისა და ლაზარევსკაიის რ-ნებში—სუხთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური ხასიათის და ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი. ს-ში არის 60 სანატორიუმი, 5 საკურორტო პოლიკლინიკა, 7 საბაბანო შენობა, 82 დასასვენებელი სახლი და პანსიონატი.

ს. ტურიზმის დიდი ცენტრია; ს-ზე გადის 30 საკავშ. ტურისტული მარშრუტი. არის ტურბაზები, კემპინგები.

1838 თანამედროვე ქალაქის ტერიტორიაზე დაარსდა დასახლება ალექსანდრია (შემდგომში ნავაგინსკის სიმაგრე)—სასაზღვრო პუნქტი. ყირიმის ომის (1853—



სოჭი. სასტუმრო „მაგნოლიის“ რესტორანი. 1965. არქიტექტორები ლ. გალპერინი, ა. მიხაილოვი.



სოჭი. ქალაქის საერთო ხედი.

56) დროს დატოვეს რუს. ჯარებმა. ხელახლა გაშენდა 1864 და იწოდებოდა რომორც პოსტ-დახოვსკი. 1896 ეწოდა სოჭი, გახდა ქალაქი, შავიზღვისპირა გუბ. ცენტრი. საბჭ. ხელისუფლება გამოცხადდა 1918 იანვ-ში, საბოლოოდ დამყარდა 1920 წ. 29 აპრილს. ქალაქი დაჯილდოებულია სამამაცლო ომის I ხარისხის ორდენით (1980). საბჭ. ხელისუფლების წლებში ს. ძირფესვიანად გადაკეთდა და კეთილმოეწყო. გაშენდა პარკები, სკვერები. აშენდა სამკურნ.-საკურორტო კომპლექსები: კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინ-ტი (1931, არქიტ. ა. შჩუსევი), სანატორიუმები — „ზარია" [1964-ის შემდეგ: მის შემადგენლობაშია ყოფ. სანატორიუმის „გორნი ვოზდუხის" კორპუსი (1931, არქიტ. ა. და ლ. ვესნინები)], სსრკ თავდაცვის სამინისტროსი (1931—33, არქიტ. მ. მერჟანოვი), გ. ორჯონიკიძის სახ. (1934—37 არქიტ. ი. კუზნეცოვი), „პრავდა" (1936, არქიტ. პ. ესკოვი), „მეტალურგი" (1956, არქიტ. ი. სვირსკი, ინჟ. ო. უგრიუმოვა), „პრიმორიე" (1975, არქიტ. ი. ვინოგრადსკი და სხვ.), საერთაშ. ტურისტული ბანაკი „სპუტნიკი" (1960, არქიტ. ნ. მილოვა, გ. რუევსკაია და სხვ., ინჟ. დ. იაკუნინი და სხვ.); სასტუმროები — „კავკაზი" (1964), „მაგნოლია" (1965), „ლენინგრადი" (1966) — ყველა არქიტ. ლ. გალპერინი და სხვ., „ყუმჩუჟინა" (1979, არქიტ. ო. გორიაჩევი, ტ. პანკოვა და სხვ.), რკინიგზის (1952, არქიტ. ა. დუშკინი) და საზღვაო (1955, არქიტ. კ. ალაბიანი და სხვ.). ვაგზლები, თეატრი (1939, არქიტ. კ. ჩერნოპიატოვი) და სხვ. ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1957, მოქანდაკე ზ. ვილენსკი, არქიტ. ლ. რუდნევი).

ს-ში განვითარებულია კვების (რძის, ხორცის, საკონსერვოექსპერ. კომბინატები, ლუდის ქ-ნა, მეფრინველეობის ფ-კა და სხვ.) მრეწველობა. არის კრასნოდარის პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, პოლიტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები. მხარეთმცოდნეობის, ნ. *ოსტროვსკის* ლიტ.-მემორიალური, კავკასიის ნაკრძალის მუზეუმები; დენდრარიუმი; ცირკი; საგამოფენო დარბაზი.

სოჭნარი, მარადმწვანე წიწვოვანი ტყე, რ-შიც გაბატონებულია *სოჭი*. საქართველოში ს-ს ქმნის *კავკასიური სოჭი*. მისი საუკეთესო კორომები ძირითადად გვხვდება აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, იმერეთსა და გურია-აჭარაში მთის შუა და ზედა სარტყლებში, ზ. დ. 1500—1900 *მ*-ზე. აღმ. საქართველოში ს. მხოლოდ დას. ნაწილშია. ს. შეიძლება იყოს წმინდა ან შერეული ნაძვთან და წიფელთან. საქართვ. ს-ებში უფრო ხშირად ნაძვია შერეული. სუბალპ. სარტყელში, უმეტესად სამხრ. კალთებზე, გავრცელებულია მეჩხერი, დაბალი წარმადობის ს. — ნაძვნარები სუბალპ. მაღალბალახებულით. ფართოდაა გავრცელებული ს. მეაველას, გვიმრისა და წივანას საფრით, შქერისა და წყავის ქვეტყით და სხვ. ჩვენში ს-ები დიდი წარმადობისაა. ხელუხლებელი ს-ის მერქნის მარაგი ჰა-ზე ზოგჯერ (კარგ პირობებში) 2000 $მ^3$ აღწევს. *ი. აბაშიძე.*

სოხაძე ეკატერინე ტარასის ასული [16 (3). III. 1907, ქუთაისი,—22. V. 1984, თბილისი], ქართველი საბჭ. მომღერალი (ლირ. სოპრანო). რესპ. სახ. არტისტი (1945). 1925—28 სიმღერას სწავლობდა ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმში. 1930, დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლასი). ამავე წელს შედგა მისი დებიუტი თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სცენაზე (მარგარიტა — გუნოს „ფაუსტში"). ამ დროიდან 1953-მდე თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ორჯერ იყო მიწვეული სოლისტად მოსკ. დიდ თეატრში (1930—36).

ს-ს ჰქონდა ხავერდოვანი ტემბრის ხმა, დახვეწილი ვოკალური ტექნიკა, სცენური მომხიბლაობა. პარტიები: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი"), ნესტანი (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა"), მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი"), ყივჩაყი ქალიშვილი (ბოროდინის „თავადი იგორი"), მიქაელა (ბიზეს „კარმენი"), დეზდემონა (ვერდის „ოტელო"), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), ნედა (ლეონკავალოს „ჯამბაზები"), მაშა (ნაპრავნიკის „დუბროვსკი"), ბატერფლაი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი"), მარფა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე"), ნატალია (ძერჟინსკის „წყნარი დონი"). სსრკ სახელმწ. პრემია (1947). დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ორდენით.

ლიტ.: მ ჭ ე დ ლ ი ძ ე დ., ქართველ მომღერალთა სამი თაობა, თბ., 1968.

სოხთა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (ყემულთის სოფსაბჭო), მდ. ფაწის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1320 *მ*, ჯავიდან 18 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 32 *კმ*. წონის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. სამ. სკოლა სოფ. ყემულთაში (1 *კმ*).

სოფლის მახლობლად, მაღალ მთაზე, შემორჩენილია X ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლის—დიდი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ნაგებობის აღმ. ნაწილის ქვედა სართულში კრიპტაა. აღმ. აფსიდის კედლებში ორი მაღალი, ნახევარწრიული ნიშია. სიგრძის კედლები დანაწევრებულია პილასტრებით. ეკლესიას სამხრ.-იდან ეგვტერი ეკვროდა. ჩრდ. ეგვტერის ადგილზე მოგვიახებით ეგვტერისაგე ქვებით კოშკი აუგიათ. შირიმით, ნატეხი და ღვინისფერი თლილი ქვით ნაგები ეკლესია უხვად იყო შემკული წარწერებით, ჩუქურთმებითა და რელიეფებით.

ლიტ.: М е ц и с а ш в и л и Р., Ц и ц и ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида-Картли, Тб., 1975.

სოხთის სამაროვანი, ს ო ხ ო ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი, II—IV სს. არქეოლოგიური ძეგლი. მდებარეობს მდ. ფაწის ხეობაში, ისტ. შიდა ქართლის მთიან ზოლში (ჯავის რ-ნი, სამხრ. ოსეთის აო), შიდა ქართლიდან ერწოს უღელტეხილით რაჭაში გადასასვლელ გზაზე გათხარეს 1926 (ე. ფჩელინა). 1974, 1976—77 (ა. სლანოვი). 1926 მოპოვებული მასალა პირველად გამოაქვეყნა ბ. კუფტინმა. გათხრილია 40-მდე სამარხი. სამაროვანი ერთფენიანია. მიცვალებულები ესვენენ ოვალურ ორმოებში, მარცხ. გვერდზე, მოკუნტული, თავით ჩრდ.-კენ. სამარხებში აღმოჩენილია კერამ. ნაწარმი (წითელკეციანი, სხვადასხვა ფორმის დოქები, გამომწვარი ტოლჩები და სხვ.), მინის ჭურჭელი, ბრინჯაოს ნივთები (ჭვირული ბალთები, რკალური ორწილადი და ბუდეაბმული ორწილადი მშვილდსაკინძები, ცხოველების გამოსახულებიანი საკიდები, ზარაკები და სხვ.), ცხენის ლაგმები, ტანსაცმელთან დაკავშირებული და სარიტუალო ნივთები. უმეტესობა ადგილ. ნაწარმია. იმპორტული ნივთებიდან აღსანიშნავია ფაცეტებიანი მინის ჭურჭელი, ჰიპოკამპის გამოსახულებიანი მომინანქრებული ფიბულა, გემები, მონეტები (ოქტავიანე ავგუსტუსის დენარები და პართული დრაქმები — ოროდე I-ის, ფრაატე IV-ის, გოტარზ I-ის). აღმოჩენილი მასალა სოხთის მახლობლად ძვ. სავაჭრო გზის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ს. ს. გვიანდ. ანტ. ხანის ტიპური ძეგლია და მიუთითებს იმ დროის იბერიის მთისა და ბარის სულიერი და მატერ. კულტ. ერთგვაროვნებაზე.

ლიტ.: П ч е л и н а Е. Г., Погребальные комплексы из Сохта, Урсдзуар и Рук Юго-Осетии, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского ин-та», 1969, в. 15; С л а н о в А., Итоги археологического исследования Сохтинского и Кливанского могильников, კრ.: Полевые археологические исследования в 1977 году, Тб., 1980. *ნ. აფხაზავა.*

სოხოისტის ბრძოლა 1545, ბრძოლა საქართველოს და ოსმალეთის ლაშქრებს შორის. *ქარალაქის ბრძოლაში* (1543) იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა გადაწყვიტეს ხელახლა ელაშქრათ სამცხე-საათაბაგოში. ბაგრატ III-მ დახმარება სთხოვა ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს და გურიისა და ოდიშის მთავრებს. ამ უკანასკნელმა ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიიღო. იმერეთ-ქართლისა და გურიის გაერთ. ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალთა ჯარი. ბრძოლა გაიმართა სოხოისტას. მეწინავეობა ქართლის ჯარს დაეკისრა, ამით განაწყენებულმა მესხებმა მიატოვეს ბრძოლის ველი. ბრძოლა დილიდან სალამომდე გაგრძელდა. ქართველები დამარცხდნენ. ს. ბ-ის შედეგად იმერეთ-სამცხე-საათაბაგოს ერთიანი სახელმწიფოს არსებობას ბოლო მოეღო (იხ. *მურჯახეთის ბრძოლა 1535*). ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი სამხრ. საქართველოში, რასაც შემდეგ მისი სრული დაპყრობა მოჰყვა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.


ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*



ე. სოხაძე.

სოხონდო, უმაღლესი მწვერვალი ხენტეის ქედზე სსრკ ტერიტორიაზე, იმიერბაიკალეთში, მდ. ინგოდის ზემოთ (ამურის აუზი). სიმაღლე 2499 *მ*. აგებულია დაციტებით. 2000 *მ* სიმაღლემდე შემოსილია ფიჭვნარ-ლარიქსის ტყით, უფრო მაღლა ქონდარა ფიჭვის, ბუჩქა არყისა და დაურული ღვიის რაყებია, მწვერვალზე — მაღალი მთის ტუნდრა.

სოხოცკის თეორემა, ს ო ხ ო ც კ ი — გ ა ი ე რ შ ტ რ ა ს ი ს თ ე ო რ ე მ ა, *ანალიზურ ფუნქციათა* თეორიის თეორემა: ყოველი ცალსახა ანალიზური ფუნქცია არსებითად *განკუთვნილ წერტილს* ყოველ მიდამოში ღებულობს მნიშვნელობებს, რ-ებიც რაგინდ ახლოს არიან წინასწარ მოცემულ ნებისმიერ კომპლ. რიცხვთან. ეს თეორემა ერთდროულად (1868) დაადგინეს რუსმა მათემატიკოსმა ი. სოხოცკიმ (1842—1927) და იტალ. მათ. ფ. კაზორატიმ. 8 წლით გვიან გამოაქვეყნა კ. *გაიერშტრასმა*. პირველად იგი გვხვდება ფრანგი მათემატიკოსების შ. ბრიოსა და ჟ. კ. ბუკეს წიგნში „ელიფსურ ფუნქციათა თეორია" (1859).



სოხთა. ეკლესიის ორნამენტი. ფრაგმენტი. XIს.—X ს. დასაწყისი.

სოხოტორტი, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტორიულ ტაოში (ახლა თურქ. ფარგლებშია). გეგმით ოთკუთხა, დარბაზული ეკლესია. ამჟამად გადაკეთებულია მეჩეთად. კამარა შეცვლილია მიწადყრილი ხის გადახურვით. ნაგებია ნატეხი ქვით, კარი, სარკმლები და პილასტრები სუფთად გათლილი ქვითაა ამოყვანილი. შეინიშნება მოხატულობის კვალი. დას. მხრიდან ეგვტერის ნანგრევებია.

სოხუმი, აფხ. ასსრ დედაქალაქი (1921-იდან) და სოხუმის რ-ნის ადმ. ცენტრი. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, მნიშვნელოვანი სამრეწვ., კულტ. და საკურორტო-ტურისტული ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმის ყურეში, ბათუმ — ნოვოროსიისკის საავტ. გზატკეცილზე. რკინიგზის სადგური, ნავსადგური და აეროპორტი. ზ. დ. 5—140 *მ*, თბილისიდან 405 *კმ* (რკინიგზით). 118,0 ათ. მცხოვრები (1984).

ს. გაშენებულია უმთავრესად მდ-ების გუმისთისა და კელასურის ქვემო დინებათა შორის მოქცეულ დაბლობ-ვაკეზე,



სოხთა. ეკლესიის რელიეფი. ფრაგმენტი. X ს.—XI ს. დასაწყისი

მისი სამხრ.-აღმ. ნაწილი — მდ-ებს ბესლეთსა და კელასურს შორის მდებარე ვიწრო სანაპირო დაბლობ-ვაკეზე. ქალაქის დასახლება ვრცელდება გორაკ-ბორცვებზე, რ-ებიც ზღვისპირა ვაკეს ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრება. ს-ის ფართ. 23,3 *კმ*², აქედან განაშენიანებულია 42%. ქალაქის ფარგლებში და მოსაზღვრე ტერიტორიაზე შავ ზღვას ერთვის მდ-ები გუმისთა, კელასური, ბესლეთი.

ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალგვარი სუბტროპ. მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები და ციტრუსოვანთა ნარგავები. ს-ში მრავალი პარკია (ვ. ი. ლენინის სახ., სერგო ორჯონიკიძის სახ., პიონერთა და მოსწავლეთა, სოხუმის მთის და სხვ.). აღსანიშნავია *სოხუმის ბოტანიკური ბაღი*, სოხუმის (სინოპის) დენდროპარკი (სადაც 900-ზე მეტი სახეობის მცენარეა; აქ არის სპილოს პალმის ხეივანი). ქალაქის მწვანე ნარგავის ფართ. 842 ჰა.

მოსახლეობა. 1921 ს-ში იყო 21,1 ათ. მცხ., 1939 წ. — 44,3 ათ., 1959 წ. — 64,7 ათ., 1970 წ. — 101,8 ათ., 1979 წ. — 114,4 ათ. 1921—79 წლებში ქალაქის მოსახლ. 5-ჯერ გაიზარდა. მასზე მოდის აფხ. ქალაქის მოსახლ. 40,8%, ხოლო მთელი ავტონ. რესპ. მოსახლ. 22,6%. მოსახლ. სწრაფი ზრდა გამოწვეულია არა მარტო ბუნებრივი ზრდით, არამედ რესპ. სოფლებისა და პატარა ქ-ების მოსახლ. მიგრაციით დედაქალაქში. ს. მრავალეროვანი ქალაქია. ეროვნ. შემადგენლობა (1979): აფხაზი 9,9%, ქართველი 38,3%, რუსი 26,4%, სომეხი 10,9%, ბერძენი 6,5%, უკრაინელი 3,5%, ებრაელი 1,5%, ოსი 0,2%, დანარჩენი 2,8%.

ისტორიული ცნობა. ქალაქის ძვ. სახელწოდებაა ც ხ უ მ ი (აქედან თურქიზებული ფორმა ს უ ხ უ მ-ს ო ხ უ მ), აფხ. სახელწოდება — ა ყ უ ა. ს-ის მიდამოები დასახლებულია ძვ. ქვის ხანიდან (იხ. სტ. *სოხუმის არქეოლოგიური ძეგლები*). გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან აღმ. შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი პუნქტია. ძვ. წ. VI ს-ში მილეთელმა ბერძენმა ვაჭრებმა აქ სავაჭრო ფაქტორია *დიოსკურია* დააარსეს. ძვ. წ. I ს-ში რომაელებმა დაიპყრეს, შემდგომში ააგეს ციხესიმაგრე და ქ-ს *სებასტოპოლისი* უწოდეს. VI ს. დასაწყისში ს. ბიზანტ. გამგებლობას ემორჩილება. 542 ირან-ბიზანტ. ომის დროს, ბიზანტიის იმპ. იუსტინიანე I-მა გაიყვანა ჯარები ს-იდან და დაარღვია მისი სიმაგრე. 565 მანვე აღადგინა ქალაქი და ციხესიმაგრე. ს. კვლავ დაწინაურდა. VIII ს. ბოლომდე ს. აღმ. შავიზღვისპირეთში ბიზანტიელთა ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი იყო. 736 ქალაქი დაარბია არაბთა ლაშქარმა მარვან იბნ მუჰამადის (მურვან ყრუ) სარდლობით. VIII ს. ბოლოდან ს. ცხუმის საერისთავოს ცენტრია. აქვე საეკლ. კათედრალი. საქართველოს ფეოდ. სახელმწ. ძლიერების ხანაში (XI—XIII სს.) ს. კვლავ აყვავების განიცდის. XIV ს. დასაწყ. გენუელები (იტალია) სავაჭრო ფაქტორიას აარსებენ. 1451 ქალაქი მცირე ხნით ოსმალებმა აიღეს. მეორედ ოსმალებმა ქალაქი აიღეს XVI ს. II ნახევარში. ლამაზი მდებარეობის გამო ოსმალები ს-ს „შეორე სტამბოლს" ეძახდნენ. ს. აფხაზეთში ოსმალთა ბატონობის დასაყრდენი გახდა. 1724 ოსმალებმა აქ არსებული ციხესიმაგრე კიდევ უფრო გააძლიერეს და სუხუმ-კალე (სოხუმის ციხე) უწოდეს. 1725 და 1728 ადგილი ჰქონდა ანტიოსმ. აჯანყებებს, მაგრამ ქალაქი ოსმალთა ხელში რჩებოდა. 1771 აჯანყების შემდეგ ქალაქი გათავისუფლდა, მაგრამ მცირე ხნით; ოსმალებმა იგი კვლავ დაიკავეს. XVIII ს. ბოლოს ს. აფხ. მთავრის რეზიდენციაა. ოსმალთა ბატონობის ხანაში ქალაქი დაქვეითდა; იგი ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი პუნქტი გახდა. 1810 ს. რუს. ჯარმა გაათავისუფლა. XIX ს. 30-იან წლებში დაიწყო ს-ის აღორძინება. 1832 გაიხსნა საბაჟო. 1846 ნავსადგურად გამოცხადდა. 1847-იდან ქალაქის სტატუსი მიიღო. ყირიმის ომის (1853—56) დროს, 1854, ოსმალთა ჯარმა დაიკავა; მტერმა ციხესიმაგრე დაანგრია, ქალაქი კი გადაწვა. აფხ. სამთავროს გაუქმების (1864) შემდეგ სოხუმის სამხ. განყ-ბის (ოლქი) ცენტრია. 1866 მოხდა ფართო სახალხო გამოსვლა, აჯანყებულებმა ქალაქი აიღეს, მაგრამ ციხესიმაგრის აღება ვერ მოახერხეს; აჯანყება ჩაახშვეს. რუს.-ოსმ. 1877—78 ომის დასაწყისში ოსმალებმა აიღეს და სასტიკად დაარბიეს. 1903 ს-ში შეიქმნა რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფი. ს-ის მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ 1905—07 რევ. მოძრაობაში. 1917 ნოემბ. ს-ში ხელისუფლება ხელთ იგდო *ამიერკავკასიის კომისარიატის* ადგილ. ორგანომ. 1918 მარტში აფხ. ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება. 8 აპრ. ს-ში საბჭ. ხელისუფლება გამოცხადდა, მაგრამ 1918 წ. 17 მაისს ქალაქი *ამიერკავკასიის სეიმის* ჯარებმა დაიკავეს. 1919 ს-ში შეიქმნა კომუნისტური ახალგაზრდული ორგანიზაცია „სპარტაკი". 1921 წ. 4 მარტს აფხ. აჯანყებულმა მშრომელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და წითელი არმიის დახმარებით გაათავისუფლეს ს. იმავე დღეს აფხაზეთში საბჭ. ხელისუფლება გამოცხადდა. 1921 მარტიდან ს. აფხ. ასსრ დედაქალაქია.

ეკონომიკა. ს. საქართვ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრია. მთავარი დარგებია მანქანათმშ., მსუბუქი და კვების მრეწველობა. აქ არის 40-მდე სამრეწვ. საწარმო, მ. შ. ხელსაწყოთმშენებელი, ქიმ. და აირის აპარატურის ექსპერ. ქ-ნები, საკონსერვო, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, ღვინისა და რძის ქ-ნები; ტყავ-ფეხსაცმლის, თევზისა და ხორცის კომბინატები; სამკერვალო, თამბაქოსა და საკონდიტრო ფ-კები. ქალაქის ენერგეტ. ბაზაა მდ. გუმისთაზე აშენებული სოხუმის ჰესი. ს-ის ზოგიერთი საწარმოს (ხელსაწყოთმშენებელი და საკონსერვო ქ-ნები) მიერ დამზადებული პროდუქცია იგზავნება სსრკ მრავალ რ-ნსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.


ს. მსხვილი სატრანსპ. კვანძია, სადაც თავს იყრის საზღვ., სარკინიგზო, საავტ. და საჰაერო კომუნიკაციები. მნიშვნელობით I ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტი. ს-ს (ბაბუშარის) აეროპორტი ერთ-ერთი უდიდესი და მოხერხებულია მთელ ამიერკავკასიაში. იგი ემსახურება არა მარტო აფხაზეთს, არამედ დას. საქართვ. სხვა რ-ნებსაც. ს-ს საჰაერო კავშირი (ძირითადად სამგზავრო) აქვს სსრკ მრავალ ქალაქთან. ს-ის საზღვ. ნავსადგურიც ძირითადად მგზავრთა გადაყვანას ემსახურება. შენდება ახ. საზღვაო ვაგზალი. ქალაქის ფარგლებშია (გარდა სოხუმისა) რკინიგზის 2 სადგური (ლეჩქოფის, კელასურის) და ბაქანი (ბარათაშვილის). ს-ს აქვს კარგად განვითარებული საქალაქო ტრანსპორტი. ტრანზიტული ავტოტრანსპორტისაგან ქალაქის განტვირთვის მიზნით დაპროექტებულია შემომვლელი გზის მშენებლობა, რაც გააუმჯობესებს ავტოტრანსპორტის მოძრაობას და შეამცირებს ქალაქის ჰაერის გაჭუჭყიანებას.

არქიტექტურა. ქალაქი განაშენიანებულია ზღვისპირა ვაკეზე. დაგეგმარებულია სწორი ქუჩებით. არქიტ. ნაგებობათაგან აღსანიშნავია: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი სახლი (1935, არქიტ. ნ. სეეროვი), სანატორიუმი „უკრაინა" (1936, არქიტ. ი. შტეინბერგი), ადმ. შენობა (1939, არქიტ. ვ. შჩუკო), სასტუმრო „აფხაზეთი" (1938, არქიტ. ი. გოლუბევი, ი. შჩუკო), დრამ. თეატრი (1952, არქიტ. მ. ჩხიკვაძე) და სხვ. ქალაქი შენდება გენ. გეგმით (1961, არქიტ. ე. ბაგრატიონი, ა. ნიკოლაიშვილი, გ. თელია). აშენდა საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის შენობა (1969, არქიტ. ო. პაიჭაძე, თ. ყიფშიძე, კ. წულაია) და სხვ.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. ს-ში არის 10-მდე სამეცნ. დაწესებულება, მ. შ. საქ. სსრ მეცნ. აკად. დ. გულიას სახ. აფხ. ენის, ლიტ-რისა და ისტ. ინ-ტი, სსრკ მეცნ. აკად. ექსპერ. პათოლ. და თერაპიის ინ-ტი (მაიმუნების სანაშენეთი), საქ. სსრ მეცნ. აკად. სოხუმის ბოტან. ბაღი და სხვ., მრავალი საპროექტო ინ-ტის აფხ. ფილიალი, მასწავლებელთა დახელოვნების ინ-ტი და სხვ. ქალაქში 2 უმაღლესი სასწავლებელია — აფხ. მ. გორკის სახ. სახელმწ. უნ-ტი (6 ფაკ-ტი, 18 სპეციალობა) და სსრკ-ში ერთადერთი საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტი (სულ 7,3 ათ. სტუდენტი, 1984). ს-ში არის აგრეთვე საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის დაუსწრებელი სწავლების ფაკ-ტი, ინდუსტრ. ტექნიკუმი, სამედ., სამუსიკო, სამხატვრო, კულტ.-საგანმან. სამ. სპეც. სასწავლებლები და 3 პროფტექ. სასწავლებელი; 21 ზოგადსაგანმან. სამ. სკოლა, 3 სკოლა-ინტერნატი, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სამ. სკოლები (19,0 ათ. მოსწ. 1984), 3 სპორტ. სკოლა, 17 საბავშვო ბაგა და ბაღი. 2 დრამ. თეატრი (კ. გამსახურდიას სახ. ქართული და ს. ჭანბას სახ. აფხაზური), აფხ. სახელმწ. ფილარმონია, 5 კულტსახლი, 5 კინოთეატრი, 22 ბ-კა, აფხ. მხარეთმცოდნეობის სახელმწ. მუზეუმი, დ. გულიას ლიტ.-მემორიალური მუზეუმი, ნ. ლაკობას სახლ.-მუზეუმი, ეთნოგრ. მუზეუმი ღია ცის ქვეშ, პიონერთა სასახლე, ბეჭდვითი სიტყვის სასახლე, შენდება მოზარდ მაყურებელთა თეატრი, სახ. შემოქმედების სახლი. გამოდის 3 საოლქო გაზეთი. „აფსნი ყაფში", „საბჭოთა აფხაზეთი", „სოვეტსკაია აბხაზია", 4 ჟურნ.: „ალაშარა", „ამცაბზი", „აშკოლი აფსთაზაარეი", „აფსნი აკაზარა". ს-შია რადიომაუწყებლობის სტუდია. ს-იდან ხორციელდება აფხ. ტელეეთერის გადაცემები.

ს-ის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 5 საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, 6 დისპანსერი, 4 პოლიკლინიკა. 509 ექიმი და 1076 სამ. მედმუშაკი. ქალაქში გადის 20 საკავშ. მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტი. არის 4 ტურბაზა, ავტოპანსიონატი „სინოპი".

ს. და მისი მიდამოები საქართვ. შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკურორტო ზონაა. ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია, იცის თბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 5,8—6°C) და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-



სოხუმი. აფხაზეთის ასსრ მთავრობის სასახლე. 1932—39. არქიტექტორები ვ. შჩუკო, ვ. გელფრეიხი.

რა 23°C). ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 15°C. ნალექები 1480 *მმ* წელიწადში. მზის ნათების ხანგრძლივობა 2100 *სთ.* ყინვები იშვიათია, თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. ჰაერის საშ. წლ. შეფარდებითი სინოტივე 70%, ზაფხულში — 75%. სამკურნ. საშუალება: კლიმატოთერაპია, ზღვაში ბანაობა (მაისოქტ.), მინერ. წყლები (აზოტიანი, სულფატურ - ქლორიდულ - ნატრიუმიან-კალციუმიანი, სუსტი გოგირდწყალბადიანი მეთანიანი და სხვ.), რ-ებსაც უმეტესად აბაზანებისათვის იყენებენ. სამედ. ჩვენება: გულ-სისხლძარღვთა სისტემის სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური ხასიათის და ნერვული ფუნქციური დაავადებანი. სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, საკურორტო პოლიკლინიკა, საბავშვო. კურორტი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

ლიტ.: კობახიძე ე., სოხუმი. გზა. მკვლევი, თბ., 1974; Воронов Ю. Н., Дискуриада—Себастополис—Цхум, М., 1980; Инадзе М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968; Куфтырева Н. С., Лашхия Ш. В., Мгеладзе К. Г., Природа Абхазии, Сух., 1961; Очерки истории Абхазской АССР, ч. 1—2, Сух., 1960—64; Пачулиа В. П., Сухуми, Сух., 1978; Трапш М. М., Труды, т. 2, Сух., 1969.

შ. ლაშხია, თ. ბერაძე, გ. უშვერაძე.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 624 — 525.

სოხუმის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები სოხუმის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში. 1886 შეკრიბა ვ. სიზოვმა, 1922 — ა. ბაშკიროვმა, 1939—40 — მ. ავაშჩენკომ, ლ. სოლოვიოვმა და ი. ანდიბამ. სისტემატური არქეოლ. შესწავლა დაიწყო 1950-იდან (აფხ. ენის, ლიტ. და ისტ. ინ-ტი, მ. თრაფში). უდიდესი ძეგლია აშელის ხანის ნამოსახლარი ქ. სოხუმში. ენეოლითური ხანის ნამოსახლარები შესწავლილია გუად-იხუს მთაზე 1952—54, „კრასნი მაიაკის" რ-ნში — 1956. სოხუმის მთაზე შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხ. ცულები, სეგმენტისებური იარაღი, საილენძის ზოდები და სხვ. (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ.— I ათასწლ. დასაწყ.), აგრეთვე სამარხეული კომპლექსის ნივთები: ბრინჯაოს ცულები, რკინის სხვადასხვა იარაღი, კერამ. ურჭელი, სამკაული და სხვ. (ძვ. წ. IX—VII სს.). 1951 ა. კალანდაძემ და მ. ორაგვმა შეისწავლეს სოხუმის მთის არქეოლ. ძეგლა. აღსანიშნავია რკინის წვალდები, ქვევრის ფრაგმენტები, ანტ. ხანის იმპორტული კერამიკა და ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. მეტალ. წარმოების ნაშთები. კოლხ. კერამიკასთან ერთად გვხდება აღმ. ქართ. ტიპის ცალკეული ელემენტებიც. კრემაციული სამარხების მასალა ბრინჯაოს სამაჯურები, ეერცხლის ფიბულები, კერამიკა და სხვ.) ძვ. წ. VII—VI სს-ით თარიღდება.

1952—54 გუად-იხუს მთაზე გათხარეს (მ. თრაფში) ძვ. წ. VII—II სს. სამაროვანი (კრემაციული და ნაწილობრივ კრემაციული ორმოსამარხები), გვიანდ. კოლხ. ტიპის რამდენიმე სამარხი და ძვ. წ. IV—I სს. ანტ. ნამოსახლარის ნაშთები. სამაროვნის ადრეულ (ძვ. წ. VII—VI სს.) კომპლექსში გამოვლინდა რკინის მრავალრიცხოვანი ცულები, შუბისპირები, სატევრები, დანები, ბრინჯაოსა და სხვ. მასალის სამკაული, ადგილ. კერამ. ნაწარმი. სამარხთა გვიანდ. ჯგუფში (ძვ. წ. V—I სს.) აღმოჩნდა რკინის იარაღი, ბერძნ. კერამიკა, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, ფაიანსის ფიგურული საკიდები, პასტის მძივები და სხვ.

1956—59 „კრასნი მაიაკის" რ-ნში შესწავლეს ძვ. წ. VIII—II სს. სამაროვანი და ადრინდ. ანტ. ხანის ნამოსახლარი. სამაროვნის ადრინდ. ჯგუფი ძვ. წ. VIII—VI სს. განეკუთვნება, გვიანდ. — ძვ. წ. V—II სს. ადრინდ. ჯგუფისათვის დამახასიათებელია კოლხ. ტიპის ბრინჯაოს ცულები, შუბისპირები, სატევრები, სამკაული, ტანსაცმლის ნივთები და ა. შ., რკინის იარაღი, საჭურველი და მცირე ზომის თიხის ჭურჭელი.

სოხუმის ყურის ნაპირას და მიმდებარე მაღლობზე გათხარეს ძვ. წ. II—I ათასწლ. მიჯნის მჭიდრო დასახლება, რ-საც ჭალაქური ტიპის დასახლებად მიიჩნევდნენ (მ. თრაფში).

1952 დაიწყო არქეოლ. კვლევა სოხუმის ციხესიმაგრის მიდამოებში. 1958—59 გათხრებში მონაწილეობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი (ა. აფაქიძე, ლ. შერვაშიძე, მ. თრაფში). ჩატარდა წყალქვეშა არქეოლ. დაზვერვები და გამოკვლევები. დადგინდა, რომ ადრინდ. ანტ. ხანის ქ. დიოსკურია, რომაული და ბიზანტ. ხანის სებასტოპოლისი ნაწილობრივ ახლანდ. სოხუმის ყურის სანაპიროზე მდებარეობდა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის ფსკერზეა მოქცეული. შესწავლილია ქ. სებასტოპოლისის თავდაცვითი ნაგებობანი, საცხოვრ. შენობები და კულტ. ფენები. გაპორკვა, რომ სებასტოპოლისს რამდენიმე ციტადელი ჰქონდა. შესწავლილია აგრეთვე სებასტოპოლისის 3 კულტ. ჰორიზონტი (I—IV სს.). 1953 სოხუმის ყურეში, ზღვის ფსკერზე, იპოვეს მარმარილოს საფლავის სტელა (ძვ. წ. V ს.), რ-ზედაც ბარელიეფური სცენაა გამოსახული, იქვე აღმოჩნდა ქალის ბიუსტი და საფლავის ძეგლი (I—II სს.). 1954—55 ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე შეისწავლეს ანტ. და ფეოდ. ხანის კულტ. ფენები. I—IV სს. მონეტები (8 ც.) აღმოჩნდა ოდინეცის კარმიდამოზე და სოხუმის ციხესიმაგრის რ-ნში (34 ც.). ანტ. ქალაქში ბერძენი და რომაელი კოლონისტების გვერდით ცხოვრობდა ადგილ. მოსახლეობა, რაზეც მიუთითებს ადგილ. კერამ. და სხვ. ნაწარმის მასობრივად აღმოჩენა. II—IV სს-ში სებასტოპოლისი ეპარობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ლიტ.: კალანდაძე ა., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხ., 1953; ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს., თბ., 1977; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; Трапш М. М., Труды, т. 2 — Древний Сухуми, Сух., 1969.

ე. გოგაძე.

სოხუმის ბოტანიკური ბაღი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიისა, ერთ-ერთი უძველესი ბოტანიკური ბაღი სსრკ-ში. დაარსებულია 1840. 1889-მდე სამხ. საუწყებო ბაღი („სოხუმის სამხედრო ბოტანიკური ბაღი") იყო, შემდეგ სახელმწ. ქონების სამინისტროს ექვემდებარებოდა. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ სხვადასხვა სამეცნ.-კვლ. დაწესებულებაში შედიოდა განყ-ბის სახით. 1938 სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის სისტემაში შევიდა, შემდეგ კი საქ. სსრ მეცნ. აკად. სისტემაშია სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სტატუსით. მდებარეობს ქ. სოხუმში. სადემონსტრაციო ნაწილს უკავია 7 *ჰა*, ექსპერიმენტულს — 18 *ჰა*, დენდრარიუმს — 35 *ჰა*. დაარსების პირველ წლებში ბაღში ინტროდუცირებული იყო ძვირფასი სუბტროპ. კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ზოგიერთი ეთერზეთოვანი მცენარე და სხვ. საქ. სსრ მეცნ. აკად. სისტემაში შესვლის შემდეგ ბაღი გაფართოვდა და გარდაიქმნა. მისი ძირითადი ამოცანებია სუბტროპ. მცენარეების ინტროდუქცია და დანერგვა კულტურაში, აგრეთვე აფხ. ფლორისა და მცენარეულობის შესწავლა. ბაღში 5 განყ-ბა (მცენარეთა ინტროდუქციის, დენდროლოგიის, ბოტან., მეყვავილეობის, მწვანე მშენებლობის) და 2 ლაბორატორიაა (ფიზიოლ. და ციტოემბრიოლოგიის, მცენარეთა დაცვის). აქ თავმოყრილია 5000-მდე სახეობის, ჯიშისა და ფორმის მცენარე, მ. შ. 1200-მდე სახეობის სუბტროპ. ხე და ბუჩქი, მათგან ბევრი სსრკ კულტ. ფლორისათვის იშვიათია. ღია გრუნტში იზრდება სუბტროპ. ხეხილი (ავოკადო, აზიმინა და სხვ.), ტექ და სამკურნ. (პილოკარპუსი, ბოლდო და სხვ.), წყლის (ვიქტორია, თეთრი და ვარდისფერი ლოტოსი, წყლის ყვავაჩო, წყლის სუმბული, ზღვის კომბოსტო) და სხვა მცენარეები, ორანჟერეაში ნაყოფმსხმოიარობს ბანანი, კაკაოს ხე, ყავისა და ნესვის ხეები და სხვ. დიდი რაოდენობით არის იაპ.-ჩინ. და ჩრდილოამერ. ზამთარმწვანე ხეები და ბუჩქები. კულტურაში სისტემატურად ინერგება ბაღის შიერ ინტროდუცირებული ახ. ძვირფასი ხეები და ბუჩქები, ყვავილოვანი კულტურების ახ. ჯიშები. ბაღს აქვს მესამეული პერიოდის ნამარხ მცენარეთა უნიკალური კოლექცია, ადგილ. და ინტროდუცირებული ფლორის პერბარიუმი. აქვეყნებს შრომებს (1961-იდან). *გ. აიბა.*

სოხუმის დრამატული თეატრი ს. ჭანბას სახელობისა, სახელმწიფო აფხაზური თეატრი სოხუმში. პირველი სპექტაკლი, რ-მაც სათავე დაუდო აფხ. თეატრს, დაიდგა 1918 ორამჩირეში (ხელმძღვ. პ. შაკრილი). 1919 სოხუმში დ. გულიას ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა აფხ. ლიტ.-დრამ. წრეს (ხელმძღვ. ა. შაქაია).

აფხაზეთში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921) დაიწყო თეატრ. ხელოვნების აღმავლობა. სოხუმში ამავე წელს დ. გულიას ხელმძღვანელობით დაარსდა მოძრავი აფხ. თეატრ. დასი. 1928 საზეიმოდ გაიხსნა სოხუმის თეატრი მუდმივი აფხ. და ქართ. დასებით. აფხ. დასის ხელმძღვანელი იყო ს. ბჟანია. 1929 თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟ. ვ. გარიკი. 1930 აფხ. დასმა დადგა ს. შანშიაშვილის „ანზორი". ამ პერიოდის საუკეთესო დადგმები იყო: მ. კოვეს „კიაბ ხაჯარათი", ვ. აგრბას „აჯანყება ლიხნში", ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი", გოგოლის „რევიზორი", შილერის „ყაჩაღები", ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო" და სხვ. 1939 თეატრს დაუბრუნდნენ მსახიობები, რ-ებმაც რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული დრამ. სტუდიის აფხ. სექტორი დაამთავრეს. 1967 თეატრს ს. ჭანბას სახელი მიენიჭა. 1979-იდან აფხ. და ქართ. დასები დამოუკიდებელ თეატრებად ჩამოყალიბდნენ. თეატრის ბოლო წლების საუკეთესო დადგმებია: შ. ავჯინჯალის „წყაროს ხმა", ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება", „თეთრი ბაირაღები" (ნ. დუმბაძის მიხედვით), ბ. შინკუბას „როგორც გენებოთ" და სხვ. თეატრი გასტროლებს მართავს მოსკოვში, კიევში, თბილისში და სხვ. ქ-ებში. აფხ. თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეჟისორებმა: კ. ძიძარიამ, ვ. კრივცოვმა, ვ. დომოგაროვმა, ვ. გარიკმა, ს. ჭელიძემ, ა. აგრბამ, შ. ფაჩალიამ, ნ. ეშბამ და სხვ., მსახიობებმა: ე. შაკირბაიმ, რ. აგრბამ, ი. კოკოსკერიამ, ა. არგუნ-კონოშოკმა და სხვ. 1981 ს. დ. თ. დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის" ორდენით. 1984 დასში ირიცხებოდნენ: სსრკ სახ. არტისტი შ. ფაჩალია (დირექტორი), საქ. სსრ სახ. არტისტები მ. ზუხბა, ლ. კასლანძია, მ. კოვე, ე. კოლონია, ა. აგრბა, ნ. კამკია, მ. ფაჩალია, ს. კობახია, ს. აგუმაა და სხვ. მთავარი რეჟისორია დ. კორტავა, მთავარი მხატვარი ე. კოტლიაროვი.

შ. ცუცქირიძე.

სოხუმის დრამატული თეატრი კ. გამსახურდიას სახელობისა, სახელმწ. ქართ. თეატრი სოხუმში. ქართველ სცენის მოყვარეთა სპექტაკლები სოხუმში იმართებოდა 1885-იდან. ორგანიზატორები და მონაწილენი იყვნენ მ. და-

დიანი-ანჩაბაძე, შ. დადიანი, ძ. ლოლუა და სხვ.

1922 შეიქმნა სცენისმოყვარეთა ქართ. დრამ. კოლექტივი (ხელმძღვ. მ. ხერხეულიძე), სადაც პროფესიონალი მსახიობებიც მოღვაწეობდნენ. რეპერტუარში იყო ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ცაგარლის „ხანუმა“ და სხვ. 1928 გაიხსნა სოხუმის თეატრი თავისი მუდმივი პროფ. ქართ. და აფხ. დასებით (ქართ. დასის ხელმძღვ. დ. ძნელაძე). ამავე წლიდან ქართ. დასის სამხატვ. ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა რეჟ. ვ. გარიკი, რ-მაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოხუმის ქართ. პროფ. თეატრის ჩამოყალიბებაში. ქართ. დასის პირველი წარმოდგენა იყო ს. შანშიაშვილის „ჰერეთის გმირები“. შემდგომ წლებში იდგმებოდა ბ. ლავრენიოვის „რღვევა“, ვოინიჩის „კრაზანა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ვ. კირშონის „პური“ და სხვ. სხვადასხვა დროს აქ მუშაობდნენ რეჟისორები კ. ანდრონიკაშვილი, ს. ჭელიძე, ვ. ყუშიტაშვილი, გ. ვასაძე, ლ. პაქსაშვილი, დ. კობახიძე და სხვ. მსახიობები ც. ამირეჯიბი, ი. დონაური, თ. ჭავჭავაძე, მ. გამრეკელი, ვ. არაბიძე, ნ. მიქაშავიძე, ლ. ჭედია და სხვ., მხატვრები დ. მირიანაშვილი, ნ. ყაზბეგი და სხვ. 1979-იდან აფხ. და ქართ. დასები დამოუკიდებელ თეატრებად ჩამოყალიბდნენ. თეატრის ბოლო წლების საუკეთესო დადგმებია: ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ა. ჩხაიძის „მიღების დღე“, „ნუ გეშინია, დედა“, „მარადისობის კანონი“ (ნ. დუმბაძის მიხედვით), „მთვარის მოტაცება“ (კ. გამსახურდიას მიხედვით), მოლიერის „ძალად ექიმი“ და სხვ. თეატრმა გასტროლები გამართა თბილისში, ქუთაისში, ოდესაში, ნიკოლაევში და სხვ. 1983 თეატრს მიენიჭა კ. გამსახურდიას სახელი. 1984 დასში ირიცხებოდნენ: სსრკ სახ. არტისტი მ. ჩუბინიძე, საქ. სსრ სახ. არტისტები თ. ბოლქვაძე, ნ. ყიფიანი, თ. ბაბლიძე, ფ. შედანია, ბ. თოფურიძე და სხვ. თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორია გ. ქავთარაძე.

შ. ცუცქირიძე.

სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგური სსრკ კვების მრეწველობის სამინისტროსი, დაარსდა 1937 კელასურში (სოხუმის რ-ნი). აქვს სელექციის და ინტროდუქციის (გენეტიკის სექტორით), მიწათმოქმედების (მექანიზაციის სექტორით), ეკონ., პროპაგანდისა და დანერგვის განყ-ბები; ბიოქიმ., ტექნოლ., აგროქიმ., მცენარეთა დაცვის ლაბორატორიები. სადგურში ამუშავებენ ეთერზეთოვანი კულტურების ინტროდუქციის, აგროტექ., ნედლეულის დამუშავების ტექნოლ. საკითხებს, გამოყვანილია და წარმოებაშია დანერგილი ეთერზეთოვანი კულტურების მრავალი ჯიში და ჰიბრიდი, აქვს საყრდენი პუნქტი (ყვარლის რ-ნი, სოფ. წიწკანაანთსერი), ექსპერ. ბაზა (გულრიფშის რ-ნი, სოფ. ვარჩა), ბ-კა. სცემს შრომებს. *ნ. იაკობაშვილი.*

სოხუმის ოკრუგი, სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში (ცენტრი სოხუმი), ქუთ. გუბ. შემადგენელი ნაწილი. შეიქმნა 1883. ფართობი 8621 *კმ*². მოსახლ. 100498 (1897 მონაცემები). იყოფოდა გუმისთის (ცენტრი სოხუმი), გუდაუთის (ცენტრი გუდაუთა), კოდორის (ცენტრი ოჩამჩირე) და სამურზაყანოს (ცენტრი ოქუმი) უბნებად. 1903 დამოუკიდებელ ერთეულად გამოეყო ქუთ. გუბერნიას. 1904 ს. ო-ის შემადგენელი ნაწილი გაგრის სექტორი — შავიზღვისპირეთის გუბ. სოჭის ოკრუგს გადაეცა. ს. ო. გაუქმდა 1919. ყოფილი ს. ო. მოიცავდა ძირითადად ახლანდ. აფხ. ასსრ ტერიტორიას. *შ. ცინცაძე.*

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ა. მ. გორკის სახელობისა, დაარსდა 1932 წ. 1979 ინ-ტში იყო ფიზ.-მათ. ბუნებისმეტყველება-გეოგრ., ისტ.-ფილოლ., დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკ-ტები, ჰქონდა საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები. სწავლობდა 800 სტუდენტი, მუშაობდა 227 პროფესორ-მასწავლებელი. 1979 ინ-ტი გადაკეთდა ა. მ. გორკის სახ. აფხ. სახელმწ. უნ-ტად, სადაც 1984 იყო 6 ფაკ-ტი (18 სპეციალობა), სწავლობდა 4 ათზე მეტი სტუდენტი, მუშაობდა 300-მდე პროფესორ-მასწავლებელი. იხ. ტომი *საქართველოს სსრ*, თავი სახალხო განათლება.

სოხუმის რაიონი, ადმ.-ტერ. რ-ნი აფხ. ასსრ-ში. 1917-მდე ახლანდ. ს. რ-ის ტერიტ. ქუთ. გუბ. სოხუმის ოლქში შედიოდა, 1921-იდან გუმისთის მაზრაა, 1929 ეწოდა სოხუმის მაზრა, 1930-იდან ს. რ-ია. 1963—64 წლებში შედიოდა ოჩამჩირის რ-ნში, 1965 გამოეყო მას, 1966-იდან (გაიყო სოხუმისა და გულრიფშის რ-ნებად) არსებობს დღევანდელი საზღვრებით. ჩრდ-ით ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო, აღმ-ით — გულრიფშისა და დას-ით გუდაუთის რ-ნები, სამხრ-ით აკრავს შავი ზღვა. ფართ. 1523,2 *კმ*². რაიცენტრი — ქ. სოხუმი. ს. რ-ში არის 11 სასოფლო საბჭო — ახალსოფელი, ახალშენი, ბესლეთი (ცენტრი აბჟაყვა), გუმისთა (ცენტრი აჩადარა), ეშერა, ზემო ეშერა, თავისუფლება, კელასური, ოდიში, შრომა, ფსხუ); 61 სოფელი.

ბუნება. რელიეფი. ს. რ-ის ტერიტ. უზარმაზარი ამფითეატრივით მაღლდება ჩრდ-კენ. ზღვისპირა დაბლობის ვიწრო ზოლი ჩრდ-ით გადადის დაბალ გორაკ-ბორცვებში, შემდეგ 700—800 *მ* სიმაღლის ანტიკლინური ქედებია. უფრო ჩრდ-ით აღმართულია ბზიფის ქედი (მწვ. ხიმსა, 3033 *მ*). ამფითეატრს აგვირგვინებს აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის თხემი, რ-ის საშ. სიმაღლე 3000 *მ*-ს აღემატება. ზღვისპირა ზოლი აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექებით, გორაკ-ბორცვები — მიო-პლიოცენური კონგლომერატებით, თიხებით, ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. მდ. გუმისთის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი აგებულია ცარცული და ზედაეურული კირქვებით, ბზიფის ქედის თხემი — შუაეურული (ბაიოსური) პორფირიტებით, რ-ის სამხრ-ით და ჩრდ-ით გავრცელებულია ქვედაეურული (ლიასის) თიხაფიქლები. მთა ჩუმკუზბასა და აღმოსავლეთის გუმისთის ხეობაში ვხვდებით გრანიტების გამოსავლებს. აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის აგებულებაში შედის კამბრიულისწინა პალეოზოური გრანიტები და კრისტ. ფიქლები. ს. რ-ში გამოიყოფა ხუთი გეომორფოლოგიური ზონა: 1. ზღვისპირა აკუმულაციური დაბლობი, 2. ეროზიით ძლიერ დანაწევრებული ნეოგენური ქანებით აგებული გორაკ-ბორცვები, 3. კირქვიან-კარსტული ზონა, 4. ბზიფის პორფირიტული ქედი ალპ. ფორმების სიჭარბით, 5. აფხ. კავკასიონის მთავარი ქედი მაღალმთიანი ალპ. რელიეფით, თანამედროვე და ძვ. მყინვარული ფორმებით.

ჰავა. რ-ნში ჰაეის სიმაღლებრივი ზონალურობაა. ზღვისპირა ზონაში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 13,5—15°C, იანვ. 5—6°C, ივლ. 22—24°C, აბსოლ. მინ. —14°C (იშვიათად), აბსოლ. მაქს. 41°C. ნალექები 1480 *მმ* წელიწადში. უფრო მაღლა, 1500—1600 *მ* სიმაღლეზე, ნოტიო ჰავაა ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, უხვი ატმ. ნალექებით (1800—2000 *მმ* წელიწადში). 1800—2000 *მ*-ზე ნოტიო ჰავაა ცივი ზამთრითა და ხანმოკლე ზაფხულით, უფრო ზემოთ დამახასიათებელია მაღალმთის ნამდვილ ზაფხულს მოკლებული ნოტიო ჰავა. რ-ნში ადგილ-ადგილ ნივალური ჰავაა, სადაც ნალექები უხვად მოდის (2500—2800 *მმ*).


შიგა წყლები. ბევრია მთის წყალუხვი მდინარე, ტბა, მიწისქვეშა წყლები, ჭაობი. არის პატარა თანამედროვე მყინვარებიც. რ-ნის ძირითადი მდებია: დასავლეთის გუმისთა, აღმოსავლეთის გუმისთა, ბესლეთი, ბზიფი (ზემო დინება). აღმ. საზღვართან ჩამოუდის მდ. კელასური. მდ-ები საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით, მდ. ბზიფი მყინვარული წყლითაც. მდინარეთა წყალდიდობა გაზაფხულზეა, მდ. ბზიფი ზაფხულშიც დიდდება. ბზიფის ქედისა და აფხ. კავკასიონის მთავარი ქედის თხემურ ზოლში პატარა მყინვარული ტბებია. მდ. ბზიფის აუზის ყველაზე მაღალ ადგილებში მცირე ზომის მყინვარებია.

ნიადაგები მრავალგვარია და სიმაღლებრივ ზონებს ქმნის. სოხუმის დასით, მცირე ფართობზე, არის ჭაობის ტორფიანი ნიადაგი (ლეჩქოფის ჭაობები). ვაკეზე გავრცელებულია სუბტროპ. ეწერი ნიადაგი. კალთების ქვედა ზონაში — ტყის ყომრალი ნიადაგი, რ-იც ზემოთ გაეწრებული ყომრალი ნიადაგით იცვლება. კირქვებისა და მერგელების გავრცელების არეებში უმთავრესად კორდიან კარბონატული ნიადაგია. მაღალმთიან ზონაში განვითარებულია მთის მდელოს ნიადაგები.

მცენარეული საფარი მრავალფეროვანია. ზღვისპირას და გორაკ-ბორცვიან ზონაში 700 *მ* სიმაღლეზე, კოლხური ტყეებია, კოლხური ტყეები ყველაზე უკეთ მთის შუა და ნაწილობრივ ზედა სარტყელშია გავრცელებული. ტყის ზედა სარტყლისათვის დამახასიათებელია წიფლის ტყეები ჩუმკუზბის მთის სამხრ. კალთაზე შემორჩენილია წიფლნარ-წაბლნარი. ტყის ზედა სარტყელში წიწვოვანი ტყეებია; ჭარბობს სოჭი. ზ. დ. 2000 *მ*-ს ზემოთ ჯერ სუბალპ. ტანბრეცილი ტყე-



სოხუმის რაიონი



ები, მაღალი ბალახეულობა და ბუჩქნარებია, შემდეგ (2400 *მ*-ს ზემოთ) ალპ. მდელოები და ხალები.

ცხოველთა სამყარო. ზღვისპირა ზოლში გარეული ცხოველები თითქმის მთლიანად განადგურებულია. მთის ტყეთა ზონაში გავრცელებულია შველი, გარეული ღორი, ტურა, მაჩვი, მგელი და სხვ. მაღალმთიან ზონაში ჯერ კიდევ ბევრია ჯიხვი და არჩვი. ფრინველებიდან გავრცელებულია: შაშვი, ჩხართვი, სკვინჩა, კოდალა, ჭკა, მთის არწივი, სვავი და სხვ. მდ. აღმოსავლეთის გუმისთის ხეობაში არის *გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი*, სადაც დაცულია ფლორისა და ფაუნის ძვირფასი სახეობები.

ძირითადი ლანდშაფტები. გამოიყოფა ლანდშაფტების შემდეგი სიმაღლებრივი ზონები: 1. ტერასულ-გორაკ-ბორცვიანი ტენიანი კოლხური სუბტროპ. ტყეების ზონა, ყვითელმიწა და კორდიან-კარბონატული ნიადაგებით, 2. დაბალმთიან კარსტული რელიეფის კორდიან-კარბონატულ ნიადაგებზე განვითარებული რცხილნარ-წიფლნარი ტყეების ზონა, 3. საშუალმთის ტიპური და გაეწრებულ ყომრალ ნიადაგებზე განვითარებული წიფლნარისა და წიფლნარ-სოჭნარის ზონა, 4. სუბალპ. ტყე-მდელოს ზონა, 5. მაღალმთის ზონა ალპ. მდელოებითა და ხალებით, 6. სუბნივალური ზონა.

მოსახლეობა. უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ვაკე-დაბლობსა და გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში, ძირითადად ქ. სოხუმის შემოგარენში, მცირე ნაწილი — მთიან ზონაში. განსახლების ძირითადი ზონა ვრცელდება ზ. დ. 400 *მ*-მდე. რ-ნის მთელი მოსახლ. ცხოვრობს სოფლად. მცხოვრებთა მეტი ნაწილი ქართველები და აფხაზები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე სომხები, რუსები, ბერძნები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები და სხვ. საშ. სიმჭიდროვე დაბალია (1 *კმ*-ზე 25 კაცი), რაც იმით აიხსნება, რომ ძირითადად მთიანი ლანდშაფტია და სას.-სამ. სავარგულები მცირეა.

სახალხო მეურნეობა. საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე ს. რ. ეკონომიკურად ჩამორჩენილი იყო. მოსახლ. უმეტესობა სიმინდისა და თამბაქოს მოყვანას მისდევდა, მხოლოდ მეთამბაქოეობას ჰქონდა გარკვეული სასაქონლო ხასიათი. საბჭ. ხელისუფლების პირველსავე წლებში ფართოდ განვითარდა სუბტროპ. მეურნეობა, საფუძველი ჩაეყარა მეციტრუსეობასა და მეჩაიეობას, მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა, ამჟამად ს. რ. აფხ. ერთ-ერთი მოწინავე სამრეწვ. და სას.-სამ. რ-ნია.

სოფ. მეურნ. ძირითადი დარგია მემცენარეობა. მასზე მოდის კოლ-ბების ფულადი შემოსავლის 92%, ხოლო საბჭ. მეურნეობების — 80,4%. რ-ში 14 კოლ-ბა, 3 საბჭ. მეურნ. (აფსნის, ეშერისა და ზემო ეშერის მეციტრუსეობის) და 2 სანერგე მეურნეობაა (მეციტრუსეობის სოფ. ზემო ბირცხაში და მეფვავილეობის სოფ. ოდიშში). რ-ში სას.-სამ. სავარგული შეადგენს 19858 *ჰა*-ს, აქედან სახნავ-სათესია 3291 *ჰა* (უმთავრესად უკავია თამბაქოს, სიმინდს, ბოსტნეულს, საკვებ კულტურებს), მრავალწლიანი ნარგავების ფართ. 2325 *ჰა*-ს აღემატება (ძირითადად არის ციტრუსების, ხეხილის, ჩაისა და ვენახის პლანტაციები). რ-ნის ეკონომიკაში მეცხოველეობა უმნიშვნელო როლს თამაშობს (მსხვ. რქ. საქონელი 12600 სულია; 1984), შედარებით კარგად არის განვითარებული მეფუტკრეობა. (6700 ფუტკრის ოჯახი, 1983). რ-ში არის ბევრი მნიშვნელოვანი სას.-სამ. დაწესებულება—საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის სასწ.-საცდელი მეურნე „ეშერა" (სოფ. გუმისთა), ჩაისა და სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სოხუმის ფილიალის ექსპერ. მეურნე. „გვანდრა" (სოფ. გვანდრა), თამბაქოს, საქართველოში ერთადერთი, საცდელი ექსპერ. სადგური (სოფ. ქვემო იაშთხვა), დედაფუტკრის გამოსაყვანი სადგური (სოფ. აბჟაყვა), მეფრინველეობის საინკუბატორო, ჯიშთსაშენი და ვეტ. სადგურები (სოფ. ქვემო ბირცხა), ბროილერის ფ-კა (სოფ. კაანი), აფხ. სას.-სამ. ტექნიკის სარაიონთაშორისო ბაზა (სოფ. ეშერა).

მრეწველობა. მრეწვ. საწარმოებია: წისქვილ-კომბინატი, აირგამანაწილებელი სადგური და ნავთობის პროდუქტების სოხუმის ბაზა სოფ. ეშერაში, მარმარილოს კარიერი სოფ. კამანში, ავტოპროფილაქტორიუმი სოფ. აჩადარაში. არის აგრეთვე კირისა (სოფლები თავისუფლება და შრომა) და აგურის (სოფ. ბესლეთი) ქ-ნები; მდ. გუმისთაზეა სოხუმჰესი.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. რ-ნის ტერიტორიას კვეთს ამიერკავკ. რკინიგზის მაგისტრალი და საკავშ. მნიშვნელობის შავიზღვისპირა გზატკეცილი. ადგილ. გზების სიგრძეა 115 *კმ*.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 1984 რ-ნში იყო 33 ზოგადსაგანმან. სკოლა (მ. შ. 17 საშ., 1 საღამოს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა), 5,3 ათ. მოსწ., 0,9 ათ. მასწავლებელი, 6 საბავშვო ბაგა-ბაღი, 6 კულტსახლი, 24 კლუბი. სოფ. აბჟაყვაში არის რ-ნული ცენტრ. ბ-კა, აქვს 36 ფილიალი. სოფ. ეშერაში არის საკავშ. მნიშვნელობის სპორტ. ბაზა, აქვეა საკოლმეურნეო ბათა-შორისო საცხენოსნო სპორტ. სკოლა. გამოდი სრ-ნული გაზ. „კომუნისტური შრომა". ლებულობენ ტელეგადაცემებს.

რ-ნის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება რ-ნული პოლიკლინიკა, 2 დასასვენებელი სახლი („გუმისთა", „მიმოზის ხეივანი"), სოხუმის ბალნეოლ. სამკურნალო („ბესლეთი") სოფ. ქვემო ბირცხაში, 11 ამბულ., 10 საფერშლო-სამეანო პუნქტი, 33 ექიმი და 105 საშ. მედმუშაკი. სოფ. აჩადარაში არის კემპინგი, სოფ. კამანში — მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატი.

ისტ. ძეგლებია: XI—XII სს. ბესლეთის ხიდი მდ. ბესლეთზე, XII—XIII სს. ეკლესია ზემო ეშერის მახლობლად, განვითარებული შუა საუკ. ბაგრატის ციხე-კოშკი და ეკლესიის (XI—XII სს.) ნანგრევები სოხუმის მახლობლად, ადრინდ. შუა საუკ. აკლდამა — „ნართ სასრუკვა" ამზარის მახლობლად. *ქ. მგელაძე. შ. ლაშხია.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 624—625.

სოხუმის სავაჭრო გზა, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე კლუხორის უღელტეხილით (2782 *მ*) გამავალი გზის ისტ. სახელწოდება. სოხუმს (აფხ. ასსრ) აერთებს ქ. ჩერკესკთან (ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო). სიგრძე 274 *კმ*. იწყება სოხუმ—თბილ. გზატკეცილიდან სოფ. მაჭარასთან, მდ-ების მაჭარისა და ჯამპალის ხეობებით გადის მდ. კოდორის მარჯვ. სანაპიროზე, მიყვება 50 *კმ*-ზე, გადაჰკვეთს მდ. კოდორს სოფ. მარცხენა გენწვიშთან და აუყვება მდ-ების გვანდრისა და ყლიჩის ხეობებს კლუხორის უღელტეხილამდე. ჩრდ-ით გზა დომბაის ველზე გადის, გაივლის კურ. თებერდას და მდ. თებერდის ხეობის გაყოლებით ქ. ჩერკესკთან მთავრდება.

ს. ს. ბ-ის მიდამოებში ბევრი მინერ. წყაროა. მთიან რეგიონში გამოხატულია ლანდშაფტური ზონები: მთა-ტყის, სუბალპ., ალპ., სუბნივალური და ნივალური. გზაზე მრავალრიცხოვანი არქეოლ., ისტ., რელ., ეთნოგრ., არქიტ. ძეგლები და დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული ადგილებია. მდ-ების გვანდრისა და ყლიჩის შეერთების ადგილას დადგმულია კავკასიონის დამცველ საბჭ. მეომართა მემორიალი.

საავტ. მიმოსვლაა სოხუმიდან სოხუმის ტურბაზის ფილიალამდე (1380 *მ*) და ქ. ჩერკესკიდან 2040 *მ* სიმაღლემდე. საულელტეხილო მონაკვეთზე (28 *კმ*). ავტომანქანა ვერ ადის. აქ გადის საკავშ. ტურისტული მარშრუტი № 43. ულელტეხილი იკეტება სექტ მესამე დეკადიდან ივნ. მეორე დეკადამდე.

შ. ლაშხია.

სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგური ნ. ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, დაარსდა 1926 სოფ. გულრიფშში. სადგურს აქვს ციტრუსოვანი კულტურების, სუბტროპ.-ტექ. კულტურების, ბოსტნეულისა და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების, საინტროდუქციო საკარანტინო სანერგე განყ-ბები, ბიოქიმ., ციტოემბრიოლოგიური, აგრომეტეოროლ., ფიზიოლ., მცენარეთა იმუნიტეტის ლაბორატორიები. მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სსრკ სუბტროპ. ზონაში მსოფლიოს მცენარეული კოლექციის შექმნა, ახ. ჯიშებისა და ფორმების მიღება-დანერგვა და სხვ. აქვს დამხმარე ექსპერ. მეურნეობა, 2 საცდელი პუნქტი, ბ-კა. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

გ. ბჟატიში.

სოხუმის ყურე, ყურე შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმის რ-ნში. დას-ით ესაზღვრება სოხუმის კონცხი, აღმ-ით — მდ. კელასური. სანაპიროს გასწვრივ, რ-ის სიგრძე 10 *კმ* აღწევს, მდებარეობს სოხუმი. ერთვის მდ. ბესლეთი და რამდენიმე მცირე ნაკადი. ყურე არ იყინება და სოხუმის საზღვაო პორტი მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს.

გ. გიგინეიშვილი.

სოჯიო, იაპონიის პროფკავშირების გენერალური საბჭო. მსხვილი პროფკავშირული გაერთიანება. შეიქმნა 1950 ივლისში. აერთიანებს 64 დარგობრივ პროფკავშირს (დაახლ. 4,51 მლნ. წევრი, 1984), მხარს უჭერს იაპ. სოციალ. პარტიას, ემხრობა პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. თავ-რე ტაკესი კუროკავა. გენ. მდივანი ეიკიტი მაგარა.

სპა (<სპარს. სეფაჰ) ჯარის აღმნიშვნელი ტერმინი შუა საუკუნეების საქართველოში. შემოვიდა სპარსულიდან შუა საუკ. დასაწყისში და შეცვალა ქართული ტერმ. „ერი" (ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ამის შემდეგ დავიწროვდა და ძირითადად აღნიშნავდა ხალხს). ს-ის სინონიმი IX ს-იდან იყო ახ. სპარსულიდან შემოსული ტერმ. „ლაშქარი", რ-მაც თანდათანობით შეზღუდა ს-ის ხმარება და ბოლოს განდევნა კიდეც ის შუა საუკ. დასასრულს.

ს-თან ერთად ქართულში შემოვიდა სარდლის აღმნიშვნელი სპარსული ტერმინები: სპასპეტი და *სპასალარი*, რ-ებიც ერისთავის სინონიმები გახდა.

შუა საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა ს-ის როგორც სოც. შემადგენლობა, ისე ორგანიზაცია და ამასთან დაკავშირებით რამდენადმე იცვლებოდა ამ ტერმინის შინაარსიც: ადრინდ. შუა საუკუნეებში ლაშქრობა შეადგენდა გაბატონებული წოდების პრივილეგიას, რის გამოც ს. (ისევე როგორც ლაშქარი) თავდაპირველად აღნიშნავდა ფეოდალ-მოლაშქრეებს — რაინდობას. ამიტომაც XII—XIII სს-ში ს-ს (და ლაშქარს) ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა: ვიწრო — რაინდების აღმნიშვნელი და ფართო — ყოველგვარი ჯარის აღმნიშვნელი. ამავე პერიოდში ს-ის ერთ-ერთი სახეობა იყო *მონასპა* — სამეფო გვარდია. იყო აგრეთვე *როქის სპა* — დაქირავებული ჯარი.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1955—59.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქარ-



ს. სპანდარიანი.

თული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 1, ტფ., 1928. *ნ. შოშიაშვილი.*

სპააკი (Spaak) შარლ (დ. 25. V. 1903, ბრიუსელი), ფრანგი მწერალი, კინოსცენარისტი. კინოში მუშაობს 1928-იდან. ს-მა საუკეთესო სცენარები შექმნა რეჟისორებთან ჟ. ფეიდერთან („ახალი ბატონები", 1928; „დიდი თამაში", 1934), ჟ. რენუართან („დიდი ილუზია", 1937), ჟ. დიუვივიესთან („დღის დასასრული", 1939), მ. კარნესთან („ტერეზ რაკენი", 1953, ე. ზოლას მიხედვით) და სხვ. თანამშრომლობით. კ. სიმონოვთან და ე. ტრიოლესთან ერთად დაწერა სცენარის საფრ.-საბჭ. ფილმისათვის „ნორმანდია-ნემანი" (1960). რეჟისორ ა. კაიატთან ერთად შექმნა სერია ფილმებისა: „ჩვენ ყველანი მკვლელები ვართ" (1952), „წარღვნის წინ" (1953), „შავი დოსიე" (1955). ეკუთვნის მემუარები „ჩემი 31 ქორწილი" (1946) და სატირული რომანი „ბასტილიის აღება" (1962, ა. კაიატთან და მ. პონსთან ერთად).

სპაღბა, *სანიგთა* მეფე (ახ. წ. II ს. I ნახევარი). ხელისუფლება მიიღო რომის იმპერატორ ადრიანესაგან. იხსენიებს *არიანე.*

წყარო: არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის გამოც., თბ., 1961.

სპაზმი (ბერძნ. spasmos<spaō—ვქაჩავ, ვწევ), კუნთების ან კუნთების ჯგუფის უნებლიე ტონური შეკუმშვა (კრუნჩხვა). განარჩევენ განივზოლიანი (ჩონჩხის) კუნთების (მაგ., ზოგიერთი დამბლის დროს), გლუვი კუნთების — სისხლძარღვთა კედლის (მაგ., სტენოკარდიის დროს), ბრონქების (ბრონქული ასთმა), საყლაპავის (კარდიოსპაზმი), ნაწლავისა და სხვ. ს-ს. ჩონჩხის კუნთების ს. აძნელებს მოძრაობას, გლუვი კუნთების ს-ის შედეგად კი ირღვევა ორგანოს სხვადასხვა ფუნქცია.

სპაზმოლიზური საშუალებანი, ფარმაკოლოგიური საშუალებანი, რ-თაც სხვადასხვა ქიმიური შენება აქვთ და იწვევენ სისხლძარღვების (იხ. *სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალებანი*), ბრონქების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ნაღვლის ბუშტის, შარდის გამომმტანი გზებისა და სხვ. შინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების მოდუნებას. მოქმედების მექანიზმის მიხედვით მათ ყოფენ ნეიროტროპულ და მიოტროპულ ს. ს-ად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ქოლინოლიზური საშუალებანი (ატროპინი, სპაზმოლიზინი, ტიფენი, ასროფენი, დიპროფენი და სხვ.); ამ ჯგუფს პირობითად მიაკუთვნებენ აგრეთვე სიმპათომიმეტიკურ საშუალებებს (ადრენალინი, ეფედრინი და სხვ.), რ-ებიც მოქმედებენ ბრონქების, ნაწლავებისა და სხვ. ორგანოების გლუვ კუნთებზე. მიოტროპული ს. ს. (პაპავერინი, ნო-შპა და სხვ.) გავლენას ახდენენ უშუალოდ გლუვ კუნთებზე. ს. ს-ს იყენებენ მრავალი ისეთი დაავადების დროს, რ-საც დაერთვის გლუვი კუნთების გაძლიერებული შეკუმშვა (ბრონქული ასთმა, თირკმლის ჭვალი, ტვინის სისხლძარღვთა სპაზმი და სხვ.).

სპაზოფილია (*სპაზმი* და ბერძნ. philia — სიყვარული, მიდრეკილება, მისწრაფება), ბავშვთა ტეტანია, ადრეული ასაკის ბავშვთა დაავადება, რ-საც იწვევს მინერალური ცვლის მოშლა, კერძოდ, კალციუმის რაოდენობის შემცირება სისხლში. ახასიათებს ცენტრ. ნერვული სისტემის მომატებული აგზნებადობა და კრუნჩხვებისადმი მიდრეკილება. ს-ის მიზეზია D ვიტამინის ნაკლებობა (იხ. *რაქიტი*) და ფარისებრახლო ჯირკვლების ჰიპოფუნქცია. უმეტესად გვხვდება ბავშვებში 2 წლამდე. განარჩევენ ს-ის აშკარა და ფარულ ფორმებს. აშკარა ფორმის დროს ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ლარინგოსპაზმი — ყიის შევიწროება დამახასიათებელი ხველებით, სუნთქვის მოშლა და კანის ძლიერი სილურჯე; კიდურების (განსაკუთრებით მტევნებისა და ტერფების), გულმკერდის სასუნთქი კუნთების ან ბრონქების გლუვი კუნთების სპაზმი, რასაც დაერთვის გულის კუნთის სპაზმი. ეს კი ზოგჯერ ბავშვის სიკვდილის მიზეზი ხდება. მთელი ტანის კუნთების ტონური და კლონური კრუნჩხვები (ბავშვს თავი უკან აქვს გადაგდებული, დაკარგულია ცნობიერება); სახის მიმიკური კუნთების ტონური კრუნჩხვები (პირიდან გადმოდის ქაფიანი გამონადენი). ხშირ შემთხვევაში შეტევები მეორდება. ფარული ფორმის დროს კრუნჩხვები თავისთავად არ ვითარდება, კუნთების მეჭან. და ელექტრული აგზნებადობის მომატება ვლინდება გამოკვლევის სპეც. მეთოდებით. დროული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი კარგია. მკურნალობა: კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებანი, ორგანიზმში კალციუმის მარილების შეყვანა, რაქიტის საწინააღმდეგო მკურნალობა; ლარინგოსპაზმის დროს საჭიროა ენის ძირის გაღიზიანება, ცივი წყლის შესხურება, ჟანგბადის მიწოდება, ხელოვნური სუნთქვა. *ნ. ხერხეულიძე.*

სპათაგორი, სოფელი ცაგერის რ-ნში (ორბელის სოფსაბჭო), ლაჯანურის წყალსაცავის ნაპირზე. ზ. დ. 640 *მ*, ცაგერიდან 15 *კმ*. ლაჯანის კოლ-ბა (მევენახეობა). სამ. სკოლა სოფ. ლატორიაში (0,5 *კმ*). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის ე. წ. „დადეშქელიანების ეკლესია".

სპაიკური პოტენციალი (ინგლ. spike — მახვილი, წვეტიანი); სწრაფი (10 *მწმ*-მდე) ელექტრული განმუხტვა, რ-იც მოჰყვება ნეირონის მემბრანის *დეპოლარიზაციას*. მემბრანის დეპოლარიზაცია ს. პ-ს იწვევს მხოლოდ გარკვეული ამპლიტუდის მიღწევისას (სხვადასხვა მემბრანისათვის ეს ამპლიტუდა სხვადასხვაა (მერყეობს 2—5 *მვ*-იდან 20—50 *მვ*-მდე). უფრო დაბალი ამპლიტუდის დეპოლარიზაცია ს. პ-ს არ იწვევს და აგზნების გატარება არ ხდება. ს. პ-ს სხვანაირად მოქმედების პოტენციალსაც უწოდებენ (იხ. აგრეთვე *ბიოელექტრული პოტენციალები*).

ა. ქორელი.

სპალანცანი (Spallanzani) ლაძარო (12. I. 1729, სკანდიანო, — 12. II. 1799, პავია), იტალიელი ბუნებისმეტყველი. მან ცდების საშუალებით პირველმა დაამტკიცა, რომ მიკროსკოპული ორგანიზმების („ინფუზორიების") თვითნებური ჩასახვა შეუძლებელია. შეისწავლა ამფიბიების *რეგენერაცია*, პირველმა განახორციელა ამფიბიებისა და ძუძუმწოვრების ხელოვნური განაყოფიერება. დაადგინა, რომ კვერცხუჯრედის განვითარება მხოლოდ სპერმასთან შეხების შემდეგ იწყება, თუმცა ს. *პრეფორმიზმის* მომხრე (ოვისტი) იყო და მიიჩნევდა, რომ განაყოფიერების პროცესში მთავარ როლს თამაშობს არა სპერმატოზოიდები, არამედ სათესლე სითხე. ამ სითხის ამგზნები ზემოქმედებით ორგანიზმი, რ-იც თითქოს კვერცხში მზა სახითაა წარმოდგენილი, ზრდას იწყებს. ს. სწავლობდა აგრეთვე სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, საჭმლის მონელების პროცესებს, გრძნობის ორგანოებს და სხვ.

სპანდარიანი სურენ სპანდარის ძე [3 (15). XII. 1882, თბილისი, — 11 (24). II. 1916, კრასნოიარსკი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთსა და კავკასიაში. სომხ. ლიტ. კრიტიკოსი, პუბლიცისტი. რსდმპ წევრი 1901-იდან, ბოლშევიკი. სწავლობდა მოსკ. უნ-ტში, ეწეოდა პროპაგანდას მუშებს შორის. 1905—07 რევ. მონაწილე მოსკოვსა და კავკასიაში, რსდმპ კავკ. კავშირის კომიტეტის წევრი. 1907 რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრი, 1910 ჩაბმული იყო რევ. მოღვაწეობაში თბილისში. 1911—12 რსდმპ სრულიად რუს. VI (პრაღის) კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. კონფერენციის დელეგატი, აირჩიეს რსდმპ ცკ-ის და რსდმპ ცკ-ის რუსული ბიუროს წევრად. 1906—12 თანამშრომლობდა გაზ. „კაიწში" („ნაპერწკალი"), „ნორ ხოსქში" („ახალი სიტყვა"), „გუდოკში", „ბაკინსკი პროლეტარში", „ბაკინსკი რაბოჩიში", „ზვეზდაში", „სოციალ-დემოკრატში" და სხვ. 1912 მარტში დააპატიმრეს, მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება ციმბირში, სადაც განაგრძობდა რევ. მოღვაწეობას. აქვს ლიტ.-კრიტ. სტატიები და შრომები ესთეტიკის საკითხებზე, მ. გორკის, ა. აკოფიანისა და სხვათა შემოქმედებაზე. იცავდა ლიტრის პარტიულობისა და ხალხურობის ლენინურ პრინციპს, აკრიტიკებდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის", გამოდიოდა დაცემულობის, რეაქციული ლიტრის წინააღმდეგ. მაღალ შეფასებას აძლევდა ბ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, ტ. შევჩენკოს, ა. შირვან-ზადეს მემკვიდრეობას. მისმა მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა სომხ. მარქსისტული ესთეტ. აზროვნების განვითარებაში.

თხზ.: Статьи, письма, документы, М., 1958.

ლიტ.: Ленин В. И., Полн. собр. соч., 5 изд. (см. Справочный том, ч. 2, с. 474); Арутюнов Г., Тер-Мкртичян Л., Жизнь и деятельность С. Спандаряна, М., 1958.

სპანიელები (ინგლ. spaniel <ესპ. español — ესპანური), სანადირო ძაღლების ჯიშთა ჯგუფი. იყენებენ გარეულ ფრინველზე სანადიროდ ჭაობიან და ბარდიან ადგილებში. ს-ის სამშობლოა ესპანეთი (ცნობილია XV ს-იდან). ს-ის ჯიშებია კოკერი, სპრინგერი, ფილდი, ნორფოლდი, რ-ებიც XVIII—XIX სს-ში შეიქმნა ინგლისში. სსრკ-ში გამოყვანილია ს-ის ახ. ჯიში, რ-იც გამოირჩევა ძლიერი აღნაგობით, სხვა თვისებები კი იგივე აქვს, რაც მის წინამორბედებს: კარგი ყნოსვა, ძებნის ძლიერი ინსტინქტი; შეუძლია ფრინველის პოვნა და პატრონთან მოტანა. ს-ს მოკლე ფეხები, წაგრძელებული თავი და გრძელი, დაკიდებული ყურები აქვთ. კუდს ლეკვობაში ნახევარზე კვეთენ. ს-ის ბეწვი გრძელი, სწორი და რბილია, ფაშარად შავი, წითელი და ყავისფერია ან თეთრია და ჩამოთვლილ ფერთა ლაქები და კოპლები აყრია. ს-ის სიმაღლე 36—44 *სმ* აღწევს. ლამაზმა გარეგნობამ და რბილმა ხასიათმა ხელი შეუწყო ს-ის, როგორც ოთახის ძაღლების, ფართოდ გავრცელებას განსაკუთრებით ინგლისში, სადაც გამოყვანილია ს-ის დეკორ. ჯიშები.

გ. საკაძე.

სპარსეთი, *ირანის* სახელწოდება 1935-მდე, როცა ამ სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდა ირანი.

სპარსეთის ლაშქრობა 1722—23, რუსეთის არმიისა და ფლოტის ლაშქრობა პეტრე I-ის მეთაურობით სპარსეთის კასპიისპირა სამფლობელოებში. მისი მიზანი იყო რუს. სავაჭრო ინტერესების უზრუნველყოფა და ამიერკავკ. ხალხთათვის დახმარების აღმოჩენა ირან. ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში. რუს. მთავრობამ კავშირი დაამყარა ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან და სომეხ კათალიკოს ესაისთან, რ-ებიც ცდილობდნენ ირან. ბატონობისაგან განთავისუფლებას. 1722 ივლ. რუს. ჯარი (დაახლ. 22 ათ. ქვეითი) კასპიის ზღვის გავლით ასტრახანის უბესთან გადავიდა, სადაც მას შეუერთდა ცარიცინიდან მომავალი ცხენოსანი (დაახლ. 22 ათ. კაცი) ჯარი და დაიძრა სამხრ. დაღესტნისკენ, აქ მათ დაამარცხეს უტემიშის სულთანი მაჰმუდი და 23 აგვ. დაიკავეს დერბენდი. ზღვის ქარიშხალმა გემები დააზიანა, არმიის მომარაგება გაძნელდა, პეტრე I იძულებული გახდა ბაქოსაკენ ლაშქრობა შეეწყვიტა,

დერბენდში გარნიზონი დატოვა, ჩრდ. ღაღესტანში წმ. ჯვრის გამაგრებული ბანაკი შექმნა და თვითონ ასტრახანში დაბრუნდა, ხოლო არმიისა და ფლოტის სარდლობა გენ.-მ. მ. მატიუშკინს ჩააბარა. ვახტანგ VI, ქართველთა და სომეხთა ჯარით განჯასთან იდგა და რუს. ჯარის წინსვლას ელოდა, რომ მას შეერთებოდა, მაგრამ რუსთა ჯარის ლაშქრობის შეწყვეტის შემდეგ ვახტანგ VI თბილისში დაბრუნდა. ირან. შაჰმა ღალატისათვის ვახტანგ VI-ს ქართლი ჩამოართვა და კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა, რ-მაც კახელებისა და ლეკების რაზმებით 1723 მაისში თბილისი აიღო, ივნ-ში ქართლი ოსმალებმა დაიკავეს. 1724 ივლ-ში ვახტანგ VI-მ ქართლი დატოვა და დიდი ამალით (1200 კაცი) რუსეთს გაემგზავრა, რათა რუს. ჯარის დახმარებით კვლავ დაბრუნებულიყო ქართლში. 1723 რუს. ჯარმა ლაშქრობა განაახლა: აიღო ბაქო, გილანი, მაზანდარანი და ასტრაბადი. 12 სექტ. ირან. ელჩმა პეტერბურგში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რ-ის ძალითაც ეს პროვინციები რუს. ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ ირან. მთავრობამ ხელშეკრულება არ დაამტკიცა. 1723 ოსმალებმა აღმ. ამიერკავკ. დიდი ნაწილი დაიკავეს, რუსეთი იძულებული გახდა 1724 ხელშეკრულება დაედო ოსმალეთთან, რითაც ცნო თურქთა დაპყრობები, ხოლო ოსმალებმა — კასპიისპირა პროვინციების რუს. ხელში გადასვლა. პეტრე I-ის გარდაცვალების (1725 იანვ.) შემდეგ მედროვეებმა ოსმ. მხრით საფრთხის გაძლიერების გამო გადაწყვიტეს ხელი შეეწყოთ ირანისათვის ოსმ. წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ 1732 რეშთის ხელშეკრულებითა და 1735 განჯის ტრაქტატით ირანს დაუბრუნეს კასპიისპირა პროვინციები. ვახტანგ VI-ის ბრძოლა ირან. ბატონობისაგან ქართლის განთავისუფლებისათვის მარცხით დამთავრდა. ქართლში ოსმალეთი გაბატონდა, ხოლო ვახტანგ VI ამალითურთ რუსეთში დარჩა.

ლიტ.: პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960; Лысцов В. П., Персидский поход Петра I (1722—1723), [М.], 1951. *ვ. მაჭარაძე.*

სპარსეთის ლაშქრობა 1796, რუსეთის ჯარის ლაშქრობა გენ. ვ. ზუბოვის მეთაურობით ირანის კასპიისპირა პროვინციებში, რათა ხელი შეეშალა ირანისათვის ამიერკავკასიაში ხელახლა გაბატონებაში. ირან. გამგებელმა აღა-მაჰმად-ხანმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს, რ-იც 1783 გეორგიევსკის ტრაქტატით რუს. მფარველობაში იყო, ირანის მორჩილების აღიარება მოსთხოვა. ერეკლე II-მ უარით უპასუხა და რუსეთს დახმარება სთხოვა. აღა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა რუს. მდგომარეობის გართულებით დას-ში და 1795 ამიერკავკასიაში შემოიჭრა, 12 სექტ. თბილისი აიღო და დაანგრია (იხ. *კრწანისის ბრძოლა 1795*). 1796 აპრ-ში რუს. 13-ათასიანი კორპუსი ზიზლარიდან ირან. აზერბ. პროვინციებში შეიჭრა, რათა დაესაჯა ირანი ქართლ-კახეთში შეჭრისათვის. რუს. ჯარმა 10 მაისს იერიშით აიღო დერბენდი, 15 ივნ. უბრძოლველად დაეუფლა ბაქოსა და ყუბას, ნოემბ. რუსთა ჯარები მტკვარსა და არაქსზე გადავიდნენ. ამ დროს გარდაიცვალა ეკატერინე II და ტახტზე ავიდა პავლე I, რ-მაც 1796 დეკემბრის რუს. ჯარი ამიერკავკასიიდან გაიწვია.

ლიტ.: ცინცაძე ი., აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი), თბ., 1963. *ვ. მაჭარაძე.*

სპარსეთის ყურე, ყურე ინდოეთის ოკეანის ჩრდ.-დას. ნაწილში, აზიის ნაპირებთან. ჰორმუზის სრუტითა და ომანის ყურით დაკავშირებულია არაბეთის ზღვასთან. ფართ. 239 ათ. *კმ*², ხმელეთში შეჭრილია 926 *კმ*-ზე. სიგანე 180—320 *კმ*, მაქს. სიღრმე 102 *მ*. ნაპირებთან ბევრია პატარა კუნძული და მარჯნის რიფი. ს. ყ. ჰიდროლ. რეჟიმის მიხედვით ხმელთაშუა ზღვაა. წყლის ტემპ-რა აგვ-ში 30—33°C, თებ-ში 15—21°C. მარილიანობა 40°/₀₀-მდე. თევზჭერა. მარგალიტის მოპოვება. ს. ყ-ის ფსკერზე არის ნავთობის დიდი მარაგი. მთავარი ნავსადგურებია: ელ-ფაუ, ბასრა, აბადანი (მდ. შატ-ელ-არაბის ნაპირზე), ბენდერ-ხომეინი, ბენდერ-მაჰშაჰრი, ხარქი, ელ-ქუვეითი, რას-ტანურა, მანამა, უმ-საიდი, აბუ-ზაბი.

სპარსელები, ფ ა რ ს ე ბ ი (საკ. სახელწ.—ი რ ა ნ ი), ერი, შეადგენს ირანის მოსახლეობის დაახლ. ნახევარს. რაოდ. 16,5 მლნ-მდე კაცი (1978, შეფასება). ცხოვრობენ ძირითადად ცენტრ. და აღმ. ირანში. ლაპარაკობენ *სპარსულ ენაზე*. ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან დიდი ევროპეოიდული რასის სამხრ. შტოს. ვარაუდობენ, რომ ირან. ტომები თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულში გამოჩნდნენ (მოვიდნენ შუა აზიიდან ან ამიერკავკასიიდან). სპარს. ტომებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ *აქემენიდთა* სახელმწიფოში. შემდგომში ს-ის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე არაბი, თურქი და მონღოლი ტომები. XIX ს. შუა წლებში დაიწყო ს-ის ერად ჩამოყალიბება. რელიგიით მუსლიმან-შიიტები არიან. არაბების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, VII ს-ში, გავრცელდა ისლამი (მანამდე ს. ზოროასტრიზმის მიმდევრები იყვნენ). ს-ის უმრავლესობა მისდევს მიწათმოქმედებას, მებოსტნეობას, მესაქონლეობას. განვითარებულია მეხალიჩეობა, ხელით ქსოვა და სხვ. ქ-ებში მცხოვრები ს. არიან ხელოსნები, ვაჭრები და სხვ., სოფლად ყოფაში მძლავრია მუსლ. სამართ. ტრადიციები. მდიდარია ს-ის ხალხ. შემოქმედება, თეატრი, პოეზია, ლიტ-რა და სხვ. უფრო ვრცლად იხ. აგრეთვე სტ. *ირანი*.

ლიტ.: Народы Передней Азии, М., 1957.

სპარსული ენა, ფ ა რ ს ი, ირანის ოფიციალური ენა; განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანული ჯგუფის სამხრ.-დას. შტოს. ამ ენაზე ზოგიერთ არაბ. ქვეყანაშიც ლაპარაკობენ. მოლაპარაკეთა რიცხვი 13,5 მლნ-ს აღემატება. ს. ე-ის განვითარებაში გამოიყოფა 3 ეტაპი: ძველი, საშუალო და ახალი. მის ლექსიკაზე დიდი გავლენა მოახდინა არაბ. ენამ.


თანამედროვე ს. ე-ის წყობა ანალიზურია: არა აქვს ბრუნვისა და სქესის გრამატ. კატეგორიები. სინტაქსური ფუნქციის გამოსახატავად იყენებს დამხმარე სიტყვებს. აქვს მხ. და მრ. რიცხვი. ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოს, გვარისა და კონტაქტის კატეგორიები. გავრცელებულია ზმნის ანალიზური ფორმები. ენის ფონოლოგიურ სისტემაში 6 ხმოვანი, 2 დიფთონგი და 23 თანხმოვანი ფონემაა. დამწერლობაში გამოყენებულია არაბ. ანბანი; წერის მიმართულება — მარჯვნიდან მარცხნივ. თანამედროვე სალიტ. სპარსულს საფუძვლად უდევს თეირანული დიალექტი. არსებობს აგრეთვე ცენტრ. და ჩრდ.-დასავლური დიალექტები: ქაშანურ-ისპაანური, იაზდი, სივენდი, სემნანი, ფარსი და სხვ. ზოგიერთ მათგანზე არსებობს წერილობითი ძეგლებიც.

ლიტ.: Гаприндашвили Ш. Г., Гиунашвили Дж. Ш., Фонетика персидского языка, Тб., 1964; Рубинчик Ю. А., Современный персидский язык, М., 1960; Lambton A. K. S., Persian grammar, Camb., 1953; Lazard G., Grammaire du persan contemporain, P., 1957. *თ. ჩხეიძე.*

სპარტა (Spartē), ლ ა კ ე დ ე მ ო ნ ი (Lakedaimōn), ძვ. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი), პელოპონესის სამხრ.-აღმ. ოლქში — ლაკონიკეში, მდ. ევროტასის ხეობაში. ლაკონიკეში კრეტა-მიკენის კულტ. კერები არსებობდა. ჰომეროსის „ილიადაში" ს. იხსენიება ლაკონიკეს 12 აქაველ თემთა შორის, მითიური მეფე მენელაეს სამფლობელოდ. დორიელთა შემოჭრის (ძვ წ. XII ს. დასაწყ.) შედეგად ლაკონიკეს ძვ. კერები დაინგრა, მოსული (დორიული) და დამხვედრი (აქაველი) მოსახლეობა ერთმანეთს შეერია, ახ. ს-ის აღმოცენება უკვე მდ. ევროტასის ნაპირებზე ძვ. წ. X—IX სს. განეკუთვნება. ამ ორი თემის გაერთიანებას მოწმობს ორმეფობა ს-ის სათავეში — ევრიპონტიდებისა (დორიელთა) და აგიადების (აქაველთა) დინასტიებით. ს-ის ეკონომიკა ეყრდნობოდა ნაყოფიერი ლაკონიკეს აგრარულ მეურნეობას. VIII—VI სს-ში ს-მ დაიმორჩილა სამხრ. პელოპონესის ნაყოფიერი ოლქები — მესენია და კინურია. ძვ. და ახ. დაპყრობილი მიწები ს-ის სახელმწ. (თემის) საკუთრებად ითვლებოდა და 9 თუ 10 ათ. თანაბარ ნაწილად (კლერებად) ურიგდებოდა ამდენსავე სპარტულ ოჯახს. მიმაგრებული მიწა გადადიოდა თაობიდან თაობაზე გასხვისების, გაყიდვისა და თუ გაყოფის აკრძალვით. მიწის ასეთი თანაბარი განაწილება იყო ქვაკუთხედი ს-ის სახელმწიფოებრივი და სოც. ცხოვრებისა, რაც თავის მხრივ, აისახებოდა სახელწოდებაში — „თავისუფალ და თანასწორ სპარტიატთა თემი". მიწის ნაკვეთთან ერთად სპარტელს ეძლეოდა სამუშაო იარაღები, მ. შ. მონა *ჰილოტები*, რ-ებიც მიწას ამუშავებდნენ. მძიმე ექსპლუატაცია ხშირად იწვევდა ჰილოტთა მღელვარებასა და აჯანყებას. ყველაზე დიდი აჯანყება (ე. წ. მესენიელთა ომები) მოხდა ძვ. წ. 464—458. ჰილოტთა გარდა, სპარტელთა ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ პერიეკები, თავისუფალნი, მაგრამ პოლიტ. უფლებას მოკლებულნი. ესენი იყვნენ ხელოსნები და ვაჭრები. თვითონ სპარტელები სამეურნეო ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ. მათი ცხოვრება საომარი ყაიდისა იყო. ს-ის ცხოვრების ორგანიზაცია მიეწერებოდა ლეგენდარულ კანონმდებელსა და ს-ის სახელმწიფოს დამაარსებელს — *ლიკურგეს*. ყოველი სპარტელი მამაკაცი 7 წლიდან სიკვდილამდე სამხ. სამსახურში იყო, უმკაცრეს სამხ. აღზრდას („სპარტანული აღზრდა") 20 წლამდე იღებდა, სკოლა — ყაზარმიდანვე ირიცხებოდა სამხ. განაყოფში, სადაც ის თავის თანამებრძოლებთან ერთად რჩებოდა, სიკვდილამდე მათთან ცარჯიშობდა, იბრძოდა, ტრაპეზს იყოფდა. სპარტანული აღზრდა გულისხმობდა გონებრივ წვრთნასაც, სხარტ, მოკლე და საზრიან სიტყვა-პასუხს („ლაკონიური საუბარი"). სპარტანული აღზრდის წყალობით, ს-ს საბერძნეთში პირველხარისხოვანი ქვეითი (ჰოპლიტები) ლაშქარი ჰყავდა. ს-ის უმაღლესი ორგანო იყო აპელა — სახ. კრება (ფაქტობრივად მოკლებული საკანონმდებლო უფლებას), კრებიდან კრებამდე კი უმაღლეს ხელისუფლებას განახორციელებდა გერუსია — უხუცესთა საბჭო. მეფეები (2 მეფე), აპელასა და გერუსიისაგან ფრიად შეზღუდულნი, სათავეში ედგნენ აღმასრ. ხელისუფლებას, სარდლობდნენ ლაშქარს და განაგებდნენ კულტს. სახ. კრება ცალკე ირჩევდა ეფორების კოლეგიას, რ-იც კონტროლს უწევდა მოქალაქეთა და მეფეთა საქმიანობას. ძვ. წ. VI ს. დასაწყისში ს-მ გაანადგურა თავისი მეტოქე არგოსი და პელოპონესში გაბატონდა. მისი მეთაურობით შეიქმნა პელოპონესის კავშირი, ბერძენ-სპარსელთა ომებში (500—449) წამყვან როლს ასრულებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ათენის საზღვ. კავშირი შეიქმნა (478) და ბრძოლებმა ზღვაზე გადაინაცვლა, ათენი დაწინაურდა. ს-ისა და ათენის მეტოქეობა ომში გადაიზარდა. ე. წ. პელოპონესის ომი (431—404) ათენის დამარცხები-

საქართველოს გუნდის შედეგები სსრკ ხალხთა სპარტაკიადებში.

სპარტაკიადა	წელი	ადგილი
I	1956	V
II	1959	V
III	1963	V
IV	1967	V
V	1971	VI
VI	1975	VII
VII	1979	VIII
VIII	1983	X



სპარუსისებრნი. სპარუს-არგიროფსი.



გ. სპასკი.

თა და საბერძნეთში ს-ის გაბატონებით დამთავრდა. ს. უხეშად ერეოდა ბერძნ. პოლისების საშინაო ცხოვრებაში, ძალით ამყარებდა ოლიგარქიულ რეჟიმებს. ს-მ ვერც სპარსეთიდან აგრესიის საფრთხე აღკვეთა. ბერძნ. ქ-ები ს-ს აუჯანყდნენ, სპარსეთი აჯანყებულებს მიემხრო. ე. წ. კორინთის ომი (395—387) ძვირად დაუჯდა საბერძნეთს. ს. იძულებული გახდა ხელი მოეწერა სამარცხვინო *ანტალკიდას ზავისათვის*. ამას დაერთო მძაფრი სოც. ძვრები თვით ს-ის შინაურ ცხოვრებაში; ხშირმა ომებმა, ნაძარცვის შემოტანამ, ქონების დაგროვებამ, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებამ დაარღვია კონსერვატიული და კარჩაკეტილი „თანასწორთა თემი". დაახლ. 400 ეფოროსმა ეპიტადეოსმა გაატარა რეფორმა, რომლის ძალით ყოველ სპარტელს ნება ეძლეოდა გაესხვისებინა (გაეყიდა, გაეჩუქებინა და სხვ.) მიწა. მიწა ასი ოჯახის ხელში მოექცა; სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვი 700-მდე დავიდა. კერძო საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. დაეცა ს-ის სამხ. ძლიერებაც. ორჯერ მძიმედ დამარცხდა თებესთან ბრძოლაში (ლევქტრასთან — 371 და მანტინეასთან — 362). პელოპონესის კავშირი დაიშალა. III—II სს-ში ს-ში ძლიერდება სოც. ბრძოლა. მეფეები, ჯერ აგის IV შემდგომ კლეომენე III, შეეცადნენ ღარიბთა სასარგებლოდ რეფორმების გატარებას (ვალების გაუქმება, მიწების ხელახალი განაწილება, სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვის გაზრდა), მაგრამ იგი მონათმფლობელური ოლიგარქიის სასტიკი წინააღმდეგობის (მას აქაველთა კავშირი და მაკედონია უჭერდა მხარს) გამო სრულად მარცხით დამთავრდა. 207 ს-ში უმაღლესი ხელისუფლება ხელთ იგდო ტირანმა ნაბისმა, რ-მაც სოც. რეფორმა გაატარა: ჰდიდრებს მიწები ჩამოართვა და დარიგებს დაურიგა, ჰილოტები გაანაზატა. მაგრამ რომისა და ბერძნ. პოლისთა ხელახალი ჩარევის შედეგად ს-ში ოლიგარქიის ბატონობა აღდგა. ს. 146 (შეზღუდული თავისუფლებით) დანარჩენ საბერძნეთთან ერთად რომის მორჩილებაში მოექცა. ძვ. წ. 27-იდან ს. რომის პროვინციის აქაიის შემადგენლობაში შევიდა.

ლიტ.: Бергер А., Социальные движения в Древней Спарте, М., 1936; Michell H., Sparta, Camb., 1952; Oliva P., Sparta and her social problems, Prague, 1971. *ლ. სანიკიძე.*

სპარტაკი (Spartacus) (გ. ძვ. წ. 71), ძვ. რომში მონათა უდიდესი აჯანყების ბელადი, წარმოშობით თრაკიელი. ებრძოდა რომაელ დამპყრობლებს, ტყვედ ჩავარდა და გლადიატორად განაწესეს. ძვ. წ. 74-ის შემოდგომაზე სათავეში ჩაუდგა ქ. კაპუის საგლადიატორო სკოლაში ორგანიზებულ შეთქმულებას. 70 გლადიატორთან ერთად გაიქცა და ვეზუვის მთას შეაფარა თავი. აქ თანდათან თავს იყრიდნენ გაქცეული მონები და გლადიატორები, რ-თა რიცხვმა დაახლ. 20 ათასს მიაღწია. 73-ის გაზაფხულზე ს-მა დაამარცხა რომაელთა დამსჯელი რაზმი და ვეზუვიდან ბარში ჩამოვიდა. მან დაამარცხა პრეტორ პუბლიუს ვარინიუსის ჯარი და მალე კაპუა აიღო. აჯანყება მეზობელ პროვინციებსაც მოედო. რომის სენატმა ს-ის წინააღმდეგ ორიენე საკონსულო არმია გაგზავნა. ს-ის არმიაში, რ-მაც 100 ათასს მიაღწია, თავი იჩინა უთანხმოებამ: ს-ს განზრახული ჰქონდა თანამებრძოლები იტალიიდან გაეყვანა და თავიანთ ქვეყნებში დაებრუნებინა; ამ მიზნით იგი ჩრდ. იტალიისაკენ დაიძრა, მაგრამ აჯანყებულთა ნაწილი იტალიაში დარჩენას, რომის აღებასა და დარბევას ესწრაფოდა. 72 ს-ის არმიას გამოეყო რაზმი, რ-იც ს-ის გეგმას არ ეთანხმებოდა, იგი მალე გაანადგურეს, ს-მა კი დაამარცხა რომაელები, მაგრამ რადგანაც აჯანყებულთა უმეტესობამ უარი თქვა იტალ. დატოვებაზე, სამხრ-კენ გაბრუნდა და ახლა კ. სიცილიაზე გადასვლა განიზრახა. ს-ის წინააღმდეგ დაინიშნა მხედართმთავარი მარკუს ლიცინიუს კრასუსი, მაგრამ ვერც მან შეძლო ს-ის განადგურება. სენატმა ესპანეთიდან გამოიხმო გნეუს პომპეუსი და თრაკიიდან მარკუს ლუკულუსი. სიცილიაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. ს. იტალ. აღმ. სანაპიროსკენ დაიძრა, რომ ნავსადგურ ბრუნდიზიუმიდან ხომალდებით ბალკანეთში გადასულიყო, მაგრამ ამასობაში ბრუნდიზიუმში ლუკულუსმა გადასხა ჯარი, ჩრდ-იდან კი ახლოვდებოდა პომპეუსის არმია. ს. შებრუნდა და 71 აპულიაში შეება კრასუსის არმიას. აჯანყებულნი დამარცხდნენ. თვით ს. გმირულად დაიღუპა. მონათა ამ უდიდესმა აჯანყებამ მძლავრად შეარყია მონათმფლობელური რომის სახელმწიფო. ს. ბრწყინვალე ორგანიზატორი და ძვ. დროის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი იყო. კ. მარქსის სიტყვით „სპარტაკი იყო საუკეთესო პიროვნება მთელ ანტიკურ ისტორიაში. დიდი სარდალი, კეთილშობილური ხასიათით, ძველი პროლეტარიატის ჭეშმარიტი წარმომადგენელი".

ლიტ.: ალექსიშვილი მ., აი, რას ამბობს ისტორია, თბ., 1952; ლომოური ნ., სპარტაკი, თბ., 1963; Мишулин А. В., Спартаковское восстание, М., 1936. *ნ. ლომოური.*

„სპარტაკი", ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაცია საქართველოში, რ-ის საფუძველზეც შემდგომ წარმოიშვა საქართველოს კომკავშირი (სახელი ეწოდა გერმ. მუშათა რევ. ორგანიზაციის „სპარტაკის" გავლენით). „ს-ის" პირველი ორგანიზაცია შეიქმნა 1917 წ. 8 სექტ. თბილისში, შემდეგ (ოქტ.) ქუთაისში. 1918 ბოლოსათვის „ს-ის" ორგანიზაციები საქართვ. ყველა კუთხეში არსებობდა. „ს-ის" ორგანიზაციების შექმნასა და ორგანიზაციულ განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუს. ახალგაზრდობის I ყრილობამ (1918, ოქტ., მოსკოვი). ამ დღიდან „ს-ის" ორგანიზაციები თავისი საქმიანობით სრულიად რუს. ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო.

1918 წ. 26 მაისს ჩატარდა „ს-ის" დას. საქართვ. ორგანიზაციების კონფერენცია, რ-მაც შეიმუშავა ახ. წესდება და აირჩია ქუთ. საგუბერნიო ბიურო. 1919 წ. 31 მარტს გაიხსნა „ს-ის" თბილ. საქალაქო კონფერენცია, რ-ზეც აირჩიეს „ს-ის" თბილ. კომიტეტი (ბ. ძნელაძის ხელმძღვანელობით), მიიღო წესდება. „ს." საქართვ. ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშაობდა, ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობის ორგანიზაციულ გაერთიანებასა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

1921 წ. სექტ-იდან ამიერკავკ. ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციებს ეწოდა რუს. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ამიერკავკ. ორგანიზაცია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; საქართველოს კომკავშირის ისტორია, თბ., 1968. *თ. კაპანაძე.*

„სპარტაკი", ქართული გაზეთი. საქართვ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცკ-ის ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1922 წ. 22 იანვრიდან 1925 წ. 22 ოქტ-მდე (1924 წ. 3 აპრ-იდან გამოდიოდა როგორც საქართვ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრ. და თბილ. კომიტეტების, ხოლო იმავე წლის 3 ივლ-იდან საქართვ. ახალგაზრდა ლენინელთა ცენტრ. და თბილ. კომიტეტების ორგანო). 1922-იდან 1924 აპრ-მდე გამოდიოდა კვირაში ერთხელ, შემდეგ — კვირაში 2-ჯერ, რედ. — სარედაქციო კოლეგია. აშუქებდა საქართვ. კომკავშირული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს; მკითხველებს გააცნო რუსეთისა და მთელ მსოფლიოში მიმდინარე რევ. გარდაქმნათა ამსახველი მასალები. დაიბეჭდა სტატიები ახალგაზრდა თაობის ინტერნაციონალური აღზრდაზე, შემდგომი შეკავშირებისა და კონტრრევ. ძალებთან ბრძოლის აუცილებლობაზე. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

1923 წ. 15 ოქტ-იდან 1924 წ. 9 ივნ-მდე „ს." რუს. ენაზეც გამოდიოდა „იუნოშესკაია პრავდას" სახელწოდებით კვირაში ერთხელ.

1925 წ. 8 დეკ-იდან „ს-ის" ნაცვლად გამოვიდა გაზ. *„ახალგაზრდა კომუნისტი"*. ტირაჟი 2—4 ათ. *გ. გაბუნია.*

სპარტაკიადა, ტრადიციული კომპლექსური მასობრივი სპორტული შეჯიბრება. სახელი დაერქვა *სპარტაკის* სახელის მიხედვით. სსრკ-ში ს. მიზნად ისახავს საბჭ. სპორტ. მოძრაობის წარმატებათა დათვალიერებას, საბჭ. ფიზ. კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას და საბჭ. სპორტსმენების მომზადებას დიდი საერთაშ. შეხვედრებისათვის, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშებისათვის. ს. იწყება ცალკეულ ფიზკულტ. კოლექტივებში, ამას მოსდევს სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპ. ს-ები და მთავრდება ფინალური შეჯიბრებებით, სადაც ვლინდება საბჭ. კავშირის ცალკეული რესპ., აგრეთვე მოსკ. და ლენინგრ. სპორტ. დელეგაციების შედეგები.

სსრკ-ში პირველი ს-ები ჩაატარეს წითელი არმიის ნაწილებმა და სპარტაკის სახ. ახალგაზრდულმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 1923 პეტროგრადში. 1928 მოსკოვში ჩატარდა პირველი საკავშ. ს., რ-შიც 7 ათ-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა, მ. შ. 600-ზე მეტი უცხოელი სპორტსმენი იყო 17 ქვეყნიდან (შეჯიბრება ჩატარდა სპორტის 21 სახეობაში). საქართვ. სპორტსმენები სომხ. და აზერბ. სპორტსმენებთან ერთად ამიერკავკ. ფედერაციის სახელით გამოდიოდნენ და V ადგილი დაიკავეს.

სსრკ ხალხთა ს. რეგულარულად ტარდება 1956-იდან. 1956 ზაფხულის ს-ში მონაწილეობდა 20 მლნ. კაცი. მომდევნო ს-ები ჩატარდა 1959, 1963, 1967, 1971, 1975, 1979, 1983 წლებში. 1962—85 ჩატარდა 5 ზამთრის ს. (თითოეულში მონაწილეობდა 20 მლნ-მდე კაცი). ს-ების ფინალურ შეჯიბრებებში შედის სსრკ-ში კულტივირებული სპორტის ყველა ოლიმპიური სახეობა. სსრკ ხალხთა ს-უბს წინ უძღვის ნებაყოფლობითი სპორტ. საზ-ბების, სსრკ პროფკავშირების, სსრკ შეიარაღებული ძალების, სსრკ დოსააფის და სხვ. ს-ები. მოსწავლეთა ს-ები ტარდება 1954-იდან (1961-მდე ყოველწლიურად, შემდეგ კი — 2 წელიწადში ერთხელ). ს-ები სხვა სოციალ. ქვეყნებშიც ტარდება. *ა. ციბაძე.*

„სპარტაკის კავშირი" („Spartakusbund"), გერმანელი მემარცხენე სოციალ - დემოკრატების რევოლუციური ორგანიზაცია. დაარსდა 1918 წ. 11 ნოემბ. პროპაგანდისტული „სპარტაკის ჯგუფის" გარდაქმნის შედეგად. „ს. კ-ს" ცკ-ის შემადგენლობაში იყვნენ კ. *ლიბკნეხტი*, რ. *ლუქსემბურგი*, ფ. *მერინგი*, ვ. *პიკი* და სხვ. 1918 დამლევამდე შედიოდა გერმ. დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიაში (გდსდპ). 1918 ნოემბ. რევ. დროს სპარტაკელები თანმიმდევრულად იბრძოდნენ რევ. გაღრმავებისა და განვითარებისათვის. მათ წამოაყენეს ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", ამხელდნენ გერმ. ს.-დ. პარტიისა და გდსდპ-ის რეფორმისტ. ლიდერების გამცემლურ პოლიტიკას. 1918 დეკ. დამლევს სპარტაკელებისა და რადიკალების საერთო გერმ. კონფერენ-

ციაზე შეიქმნა *გერმანიის კომუნისტური პარტია.*

სპარტაკიული ალზრდა, აღზრდისა და სწავლების სახელმწიფო სისტემა სპარტაში (ძვ. საბერძნეთი) ძვ. წ. VIII—IV სს-ში. 7—8 წლიდან 20 წლამდე ასაკის ვაჟები სამხ. ტიპის ინტერნატებში სწავლობდნენ. ს. ა. ითვალისწინებდა ფიზ. წრთობას, სამხ. ხელოვნ. დაუფლებას, აგრეთვე წერა-კითხვის, ლაკონიური მეტყველების, საგუნდო სიმღერისა და სამუსიკო ინსტრუმენტებზე დაკვრის სწავლებას. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ქალიშვილთა ყოველმხრივი ფიზ. აღზრდა ოჯახში.

გადატ. მნიშვნელობით ს. ა. ეწოდება მკაცრი აღზრდის სისტემას, რ-იც ა*ყალიბებს* ფიზ. ამტანობას, ხასიათის სიმტკიცეს, ყოველგვარი სიძნელის დაძლევის უნარს და სხვ.

სპარტოკიდები (ბერძნ. Spartokidai), ბოსფორის სამეფოს მმართველი დინასტია ძვ. წ. 438—109. დინასტიის დამაარსებელი იყო სპარტოკ I. ს-ის დინასტიის წევრთა სახელები თრაკიული და ბერძნულია. ს. მსხვილი მიწათმფლობელები *იყვნენ.* ს-ის დროს ათენელებთან დადებული იყო სავაჭრო შეთანხმება, დაიპყრეს თეოდოსია, შემოიერთეს სინდები და ყუბანისპირეთის სხვა ტომები. ეცმელეს მეფობის დროს (310—304) უკანასკნელად დაიპყრეს ზღვისპირეთის აღმ. ნაწილი. სპარტოკ III-ის (304—284) დროს ხმარებაში შემოვიდა ერთიანი სამეფო ტიტული — ბასილევსი. სპარტოკ IV-ის (დაახლ. 245—240) შემდეგ სამეფოს მართავდა მისი ძმა ლევკონ II (დაახლ. 240—220), რ-ის დროსაც პირველად მოიჭრა ბოსფორში ფული მეფის სახელით. ძვ. წ. II ს-ში სამეფოს მართავდნენ სპარტოკ V, პერისად III, პერისად IV და ს-ის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი პერისად V (დაახლ. 125—109), რ-იც მოკლეს *საემაკის აჯანყების* დროს. შემდეგ ბოსფორის სამეფო მითრიდატე VI ევპატორის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა.

ლიტ.: Гайдукевич В. Ф., Боспорское царство, М.—Л., 1949 (ბიბლიოგრ.).

სპარუსისებრნი (Sparidae), თევზების ოჯახი ქორჭილასანაირთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 10—150 *სმ* აღწევს. სხვადასხვაგვარი შეფერილობა აქვთ. მტაცებლები არიან, იკვებებიან აგრეთვე პლანქტონით. ს. შეიცავს 30-ზე მეტ გვარს. გავრცელებული არიან მსოფლიო ოკეანის ზომიერ და ტროპ. წყლებში. სსრკ-ში შავ, აზოვის და იაპ. ზღვებში ბინადრობს ს-თა 8 გვარის 9 სახეობა. ჰერმაფროდიტები არიან. უმრავლესობა რეწვის მნიშვნელოვანი ობიექტია. შავი ზღვის საქართვ. სანაპიროებთან გვხვდება ზღვის კარჩხანა (Diplodus annuloris) და ოქროსფერი სპარუსი (Sparus aurata).

მ. დემეტრაშვილი.

სპასალარი (<სპარს. სეფაჰსალარ—სარდალი), სამხედრო უწყების მოხელე ძველ საქართველოში. ს. ადგილ. მხედართმთავარი იყო. ყოველ კუთხესა თუ თემს („ქუეყანაჲ") თავ-თავისი ს. უნდა ჰყოლოდა. ლეონტი მროველის ცნობით, ს-ნი ფარნავაზ მეფემ „ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა" („მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა"). მეწინავე ჯარს „სამცხის სპასალარი" სარდლობდა. ს. სპასპეტის, *ამირსპასალარის* სახელისუფლოში შედიოდა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1—2 (ნაკვ. 1), ტფ., 1928 (თხზ., ტ. 6, თბ., 1982).

ი. ფუტკარაძე.

სპასკ-დალნი (1930-მდე სპასკი), ქალაქი რსფსრ პრიმორიეს მხარეში. სპასკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, ჭლადივოსტოკიდან 243 *კმ.* 56 ათ. მკვ. (1983). ცემენტის, სანიტ.-ტექ. არმატურის, რკინაბეტონის კონსტრუქციების, ტრაქტორებისა და ავტოსარემონტო, ბოსტნეულის და ხილსაკონსერვო ქ-ნები, აზბესტცემენტის ნაკეთობათა და ხორცკომბინატები, სამკერვალო გაერთიანება, თექის ჩექმის ფ-კა. ინდუსტრ. ტექნიკუმი, პედსასწავლებელი.

სპასკი ბორის ვასილის ძე (დ. 30. I. 1937, ლენინგრადი), საბჭ. მოჭადრაკე, ჟურნალისტი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1964), სსრკ და საერთაშ. დიდოსტატი (1956). 1959 დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი. მსოფლიოს მეათე ჩემპიონი (1969—72). მატჩი მსოფლიო პირველობაზე მოუგო ტ. *პეტროსიანს* 12,5 : 10,5 (+6;—4;=13), წააგო რ. ფიშერთან 8,5 : 12,5 (+3;—7;=11). ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი (1955), სსრკ ჩემპიონი (1961, 1973); 1965—68 გაიმარჯვა პრეტენდენტთა მატჩებში, მრავალ საერთაშ. ტურნირში. მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, საჭადრაკო ოლიმპიადებსა და ევრ. ჩემპიონატებში. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით. 1968, 1969 ფლობდა „საჭადრაკო ოსკარს".

ლიტ.: გიორგაძე თ., ბრძოლა საჭადრაკო გვირგვინისათვის, თბ., 1980.

თ. გიორგაძე.

სპასკი სერგეი დიმიტრის ძე [9 (21). XII. 1898, კიევი, — 24. VIII 1956, იაროსლაყლი, დაკრძალულია ლენინგრადში], რუსი საბჭ. პოეტი, მთარგმნელი. ლიტ. მოღვაწეობა 1916 დაიწყო. ავტორია პოეტური კრებულებისა („თოვლივით", 1917; „მიწიერი დრო", 1926; „სიერცე", 1936 და სხვ.), მემუარებისა („მაიაკოვსკი და მისი თანამგზავრები", 1940 და სხვ.), დილოგიისა „ორი რომანი" („ზღურბლის წინ", „1916 წელი", გამოქვეყნდა 1957). თარგმნიდა ქართვ. კლასიკოსებისა და საბჭ. პოეტების ლექსებსა და პოემებს.

სპასოვიჩი ვლადიმერ დანიელის ძე (16. I. 1829, ქ. რეჩიცა, ახლანდ. გომელის ოლქი, — 26. X. 1906, ცარშავა), რუსი იურისტი, სისხლის სამართ. სპეციალისტი. 1857-იდან პეტერბ. უნ-ტის პროფესორი. 1864 *სასამართლო რეფორმის* შემდეგ ერთ-ერთი პირველი რუსი *ნაფიცი ექიმი.* სისხლის სამართლისა და სისხლის სამართ. პროცესზე დაწერილ ნაშრომებში წამოაყენა თავისი დროისათვის პროგრ. მოთხოვნები, ილაშქრებდა მკაცრი სასჯელის, კერძოდ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

სპასოვკა, სოფელი ბოგდანოვკის რ-ნში (გორელოვკის სოფსაბჭო), მდ. ბულდაშენის (ფარავნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2040 *მ,* ბოგდანოვკიდან 10 *კმ.* ა. პუშკინის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფრშლო-სამკვანო პუნქტი.

სპასოკუპოცკი სერგეი ივანეს ძე [29. V (10. VI). 1870, კოსტრომა, — 17. VI. 1943, მოსკოვი], საბჭ. ქირურგი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1942). 1893 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1926-იდან განაგებდა ნ. პიროგოვის სახ. მოსკ. მე-2 სამედ. ინ-ტის საფაკულტეტო ქირურგ. კათედრას. მისი ძირითადი შრომები ეხება კუჭ-ნაწლავისა და ფილტვებიწ ქირურგ. საკითხებს და სისხლის გადასხმის პრობლემებს. ს-მ შემოიღო ტრავმული და ოპერაციული შოკის მკურნალობის მეთოდები, კუჭის წყლულოვანი დაავადებისა და კუჭის კიბოს დროს ოპერაციული შოკის პროფილაქტიკისათვის წვრილ ნაწლავებში სამკურნ. ნარევის შეყვანა ზონდით, ყრუ ნაკერი ქალას ცეცხლნასროლი ჭრილობის დროს და სხვ. მონოგრაფიისათვის „ფილტვის აქტინომიკოზი" (1941) მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1942). შექმნა ქირურგების სკოლა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: Труды, т. 1—2, М., 1948.


სპეთი, სოფელი საჩხერის რ-ნში (ჭალის სოფსაბჭო), იმერეთის მაღლობზე, მდ. ყვირილის მარცხ ნაპირას. ზ. დ. 800 *მ,* საჩხერიდან 16 *კმ.* კოლ-ბა (მეფენახეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი. სოფლის მახლობლად, მაღალ მთაზე, აღმართულია XI ს. ზედამაცხოვრის ეკლესია (სოფელში დგას შუა საუკ. კიდევ ერთი ეკლესია, რ-საც ასევე მაცხოვრისა ეწოდება), შიგნით და გარედან შემოსილია მოყვითალო-მონაცრისფრო ქვიშაქვის თლილი კვადრებით. მიეკუთვნება X—XI სს-ში გავრცელებულ დარბაზულ ეკლესიათა იმ ჯგუფს, რ-თა ეგემით ნახევარწრიული აფსიდი გარედან სწორკუთხედშია მოქცეული. შიგნით, საკურთხევლის ორივე მხარეს, კედლებში დატანებულია თითო სათავსი (სამკვეთლო და სადიაკვნე). გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებით, რ-ებზეც ამოყვანილ საბჯენ თაღებს ნახევარწრიული კამარა ეყრდნობა. საკურთხევლის წინ კვარცხლბეკზე აღმართულია ხის მასიური ჯვარი. განსაკუთრებით საყურადღებოა ეკლესიაში დღემდე ხელუხლებლად შემონახული თაბაშირის თეთრი მოჩუქურთმებული კანკელი (XI ს. I ნახ.). ფასადების მორთულობა მკაცრია და სადა. 1938 ძეგლი საფუძვლიანად შეაკეთეს.

ნ. ანდღულაძე.

„სპეის შატლ" (ინგლ. Space shuttle—კოსმოსური მაქო), აშშ-ის მრავალჯერადი გამოყენებისათვის განკუთვნილი პილოტირებული სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდი; შესაბამის კოსმ. ფრენათა პროგრამა. ხომალდის მასა ≈ 2000 ტ, სიგრძე — 56 *მ.* მაქს. გაანგარიშებული სასარგებლო ტვირთი — 185 *კმ* სიმაღლის წრიულ ორბიტაზე გაშვების წინ — 29,5 ტ, ორბიტიდან დედამიწაზე დაშვებისას — 14,5 ტ. სასარგებლო დატვირთვის ნაკვეთურის სიგრძე — 18,3 *მ,* დიამეტრი — 4,6 *მ.* ეკიპაჟის მაქს. რაოდენობა — 7. პირველი საფეხური ორი მყარსაწვავიანი ამაჩქარებელია, მეორე (ორბიტული) — ფრთიანი პილოტირებული, რ-საც ორბიტიდან შეუძლია დაშვება თვითმფრინავის რეჟიმით. პირველად 1981 წ. 12 აპრ. გაფრინდა (ფრენის ხანგრძლივობა — 54 *სთ* 21 *წთ*); კოსმონავტები — ჯ. იანგი და რ. კრიპენი. 1985 წ. 30 ივლ-მდე განხორციელებულია 18 ფრენა.



ს. სპასოკუკოცკი.



„სპეის შატლ"

სპეკულაცია (გვიანდ. ლათ. speculatio, სიტყვასიტყვით — დაზვერვა, ჭვრეტა), საბჭ. სისხლის სამართლის მიხედვით, სამეურნეო დანაშაული, რ-იც გულისხმობს საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვას და გადაყიდვას გამორჩენის მიზნით. ს. უშუალოდ მიმართულია საბჭ. ვაჭრობის წინააღმდეგ, იგი ზიანს აყენებს აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესებს. ს-ის საგანი ძირითადად არის სხვადასხვა სასურსათო და სამრეწვ. საქონელი, უმთავრესად დეფიციტური. ს. განზრახი დანაშაულია, რამდენადაც გადამყიდველს გამორჩენის მიზანი ჯერ კიდევ ნივთის ყიდვის მომენტში აქვს. ს. ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით (ორივე შემთხვევაში ქონების კონფისკაციით ან უამისოდ) ან ჯარიმით 500 მანეთამდე; დიდი ოდენობით ან არაერთგზის ჩადენილი ს. იწვევს 2-იდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ქონების კონფისკაციით. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან ადრე ს-თვის ნასამართლევი პირის მიერ ჩადენილი ს. კი იწვევს თავისუფლების აღკვეთას 5-იდან 10 წლამდე ქონების კონფისკაციით (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 165). წვრილმანი ს-თვის დაწესებულია ადმ. პასუხისმგებლობა ან საზ. ზემოქმედების გამოყენება.

ო. გამყრელიძე.

სპეკულაციური ფილოსოფია (გვიანდ. ლათ. speculativus < specul or — დაკვირ-



ა. სპენდიარიანი.



ე. სპენსერი.



ჯ. სპენსერი.



ნ. სპრანსკაია.

ვება, ჭვრეტა), ფილოსოფიის თავისებური სახე, რ-იც ფილოსოფიას უპირისპირებს კერძო მეცნიერებას. ს. შ-ის მიხედვით, ნამდვილ ცოდნას გვაძლევს მხოლოდ ფილოსოფია. იგი მეცნიერებათა მეცნიერებაა, რ-იც საკუთარი მეთოდის საფუძველზე იკვლევს ცდის მიღმა არსებულ ობიექტებს.

მარქსიზმის თვალსაზრისით, ს. შ. შეიცავს გარკვეულ რაციონალურ მომენტს, კერძოდ, ფილოს. თავისთავადობის დაფუძნების ცდას. მაგრამ მარქსიზმი უარყოფს ამ დაფუძნების სპეკულაციურ ხასიათს. *ე. ერჭომაიშვილი.*

სპელეოლოგია (ბერძნ. spēlaion — მღვიმე და ...ლოგია), მ ღ ვ ი მ ე თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა, მეცნიერების დარგი, რ-იც კომპლექსურად (გეოლ., გეომორფოლ., მეტეოროლ.-კლიმატოლ., ჰიდროლ., ბიოლ., არქეოლ.) შეისწავლის მღვიმეებსა და ხელოვნურ გამოქვაბულებს. ს. მჭიდრო კავშირშია *კარსტოლოგიასთან*. მღვიმეების კვლევით ჯერ კიდევ ანტ. ხანის მეცნიერები იყვნენ დაინტერესებულნი (მაგ., სტრაბონი). თანამედროვე ს-ის მამამთავარია ფრანგი მეცნიერი ე. ა. მარტელი (E. A., Martel 1859—1938). საქართვ. მღვიმეებისა და გამოქვაბულების მიმოხილვა პირველად მოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. სპელეოლოგიურ კვლევას დიდი სამეცნ. და პრაქტ. მნიშვნელობა აქვს (წყლის რესურსების, სამკურნ., ტურიზმის ობიექტების, მიწისქვეშა სათავსოების გამოვლინება). სსრკ-ში სპელეოლოგიური დაწესებულებებია: კარსტმცოდნეობისა და სპელეოლოგიის ინ-ტები პერმსა (საკავშ.) და უფაში, სსრკ გეოგრ. საზ-ბის კარსტულ-სპელეოლოგიური კომისია (ლენინგრადი), საქ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული სპელეოლოგიური საბჭო (1958-იდან, თბილისი), საქ. სსრ მეცნ. აკად. გეოგრ. ინ-ტის კარსტულ-სპელეოლოგიური ლაბორატორია (1958-იდან) და მრავალი სპელეოტურისტული სექცია, რ-თა მუშაობას კოორდინაციას უწევს პროფკავშირების საკავშ. ცენტრ. საბჭოს სპელეოტურიზმის ცენტრ. სექცია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აერთიანებს საერთაშ. სპელეოლოგიური კავშირი, რ-იც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ აწყობს სპელეოლოგიურ კონგრესებს (I კონგრესი ჩატარდა 1953, პარიზში).

ლიტ.: მ ა რ უ შ ე ვ ი ლ ი ლ., მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973; საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. 1—9, თბ., 1963—81 (ქართ. და რუს. ენებზე); Пещеры. Сб., в. 1 (2) — 19, Пермь, 1961—85. *ლ. მარუაშვილი.*

სპელეოფაუნა (ბერძნ. spēlaion — მღვიმე და ფაუნა), იგივეა, რაც *მღვიმის ფაუნა*.

სპენდიარიანი, სპენდიაროვი, ალექსანდრე ათანასეს ძე [20. X (1. XI). 1871, კახოვკა, — 7. V. 1928, ერევანი], სომეხი საბჭ. კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. სომხ. სსრ სახ. არტისტი (1926). სომხ. მუსიკის კლასიკოსი. 1895 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. კომპოზიციის თეორიას სწავლობდა მოსკოვში ნ. კლენოვსკისთან (1892—94) და პეტერბურგში ნ. რიმსკი-კორსაკოვთან (1896—1900). ს-ის შემოქმედება ჩამოყალიბდა მოწინავე რუს. და სომხ. კულტურის გავლენით. როგორც კომპოზიტორი ამკვიდრებდა რეალისტურ ხელოვნებას, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა პროგრამული მუსიკისადმი. რევოლუციამდელი პერიოდის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია სიმფ. სურათი „სამი პალმა" (1905). 1917 ოქტ. რევ. შემდეგ ს. აქტიურად მონაწილეობდა საბჭ. კულტურის შექმნაში. ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ გუნდებს, ორკესტრებს. 1924-იდან ცხოვრობდა ერევანში. აქტიურად მონაწილეობდა მრავალი სამუსიკო დაწესებულების, მ. შ. კონსერვატორიის, მუშაობაში; სამუსიკო გამომცემლობისა და სიმფ. ორკესტრის ჩამოყალიბებაში. ამ პერიოდის ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია „ერევნული ეტიუდები" ორკესტრისათვის (1925). ს-ის მთავარი ნაწარმოებებია: ჰეროკ.-კულ-პატრ. ოპერა „ალმასტი" (1930, მოსკოვი), 2 საორკესტრო სიუიტა „ყირიმული ესკიზები" (1903, 1912), ავტორია სხვადასხვა ჟანრის რიგი ნაწარმოებებისა, ს-ის სახელი მიენიჭა ერევნის ოპერისა და პალეტის თეატრს. ერევანში გახსნილია ს-ის სახლ-მუზეუმი.

ლიტ.: С п е н д и а р о в а М., Спендиаров, М., 1964; Т и г р а н о в Г., А. А. Спендиаров, 2 изд., М., 1971; Ш а в е р д я н А., А. А. Спендиаров, М.—Л., 1939.

სპენსერი (Spenser) ედმუნდ (დაახლ. 1552, ლონდონი, — 13. ან 16. I. 1599, იქვე), ინგლისელი პოეტი. მისი პირველი წიგნი იყო 12 ეკლოგიანი პასტორალი „მწყემსის კალენდარი" (1579); აღსანიშნავია აგრეთვე ალეგორიული სატირა „კოლინ კლაუტის შინ დაბრუნება" (1591, გამოქვ. 1595), სატირული არაკი „დედა ჰაბერდის ზღაპარი" (1591), ლირ. ნაწარმოებთაგან — „ოთხი ჰიმნი" (1596), სონეტების ციკლი „ამორეტი" (1591—95) და, განსაკუთრებით, დაუმთავრებელი ალეგორიული პოემა „ფერიათა დედოფალი" (1590—96). ს-ის სახელთანაა დაკავშირებული (ფ. *სიდნისთან* ერთად) ინგლ. სონეტის განვითარება შექსპირამდე და ე. წ. *სპენსერის სტროფის* დამკვიდრება ინგლ. პოეზიაში.

სპენსერი (Spenser) ჰერბერტ (27. IV. 1820, დერბი, — 8. XII. 1903, ბრაიტონი), ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, *პოზიტივიზმის* ერთ-ერთი მამამთავარი. ს-ის ფილოს. სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცნებას „შეუცნობელი", რ-ის საფუძველზე ს. ცდილობს დაამტკიცოს მეცნ. და რელიგიის სიახლოვე. ს-ის მიხედვით, ფილოსოფია არის მოვლენათა კანონების ცოდნის მაქს. განზოგადება. კერძო მეცნიერებებისაგან იგი განსხვავდება მხოლოდ რაოდენობრივად, ცოდნის განზოგადების ხარისხით. ს-ის პოზიტივიზმი ევოლუციას მიიჩნევს „კანონად", რ-იც ვრცელდება ყველანაირ მოვლენაზე. მისი შეხედულებით, ევოლუცია არის მატერიის უბრალო გადანაწილება გარეგანი მექან. ძალების მოქმედებით, რის გამოც წაშლილია საზღვრები სინამდვილის სხვადასხვა სფეროს შორის. ს. აფუძნებს სოციოლოგიაში ორგანიცისტულ თეორიას, რ-ის მიხედვით, საზ-ბაში, ისევე როგორც ორგ. სამყაროში, განვითარება მიმდინარეობს ერთუჯრედიანი მდგომარეობიდან უჯრედთა სიმრავლისაკენ, ადამიანთა საზ-ბაც ვითარდება პირველყოფილი სოც. ერთგვაროვნებიდან რთული სოც. მრავალგვაროვნებისაკენ. ს-ის აზრით, საზ. პროგრესი არის „განუსაზღვრელი ერთგვაროვნიდან განსაზღვრულ მრავალგვაროვნებაზე" გადასვლა, რ-ის დროს გამორიცხულია რევ. თვისებრივი ნახტომები. ამიტომ ს-ის პროგრესის თეორია მეტაფიზიკურია. ს. აშკარა მოწინააღმდეგეა სოციალიზმისა, რ-საც იგი „უდიდეს უბედურებას" უწოდებს.

თხზ.: Works, v. 1—18, L.—N. Y., 1910; Собр. соч., т. 1—7, СПб., 1898—1900.

ლიტ.: ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950; ლ ე ნ ი ნ ვ. ი., ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 1; კ ო დ უ ა ე., ორგანიცისტული სოციოლოგიის განვითარების ტენდენციები, თბ., 1964. *ვ. კალანდარიშვილი.*

სპენსერის სტროფი, ცხრატაეპოვანი სტროფი. რითმული სქემა: ababbcbcc. პირველი 8 ტაეპი ემყარება ხუთტერფიან იამბს, ბოლო ტაეპი კი ექვსტერფიანი იამბით იწერება. ს. ს. შექმნა ე. *სპენსერმა*. ს. ს. გამოიყენეს ინგლისში რ. ბერნსმა, ჯ. ბაირონმა, ჯ. კიტსმა, ალ. პუშკინმა, ქართ. პოეტებიდან — მ. კუზმინმა, ქართ. პოეტებიდან ს. ს. არ დასტურდება.

სპენსერის ყურე (Spenser Gulf) ინდოეთის ოკეანეში, ავსტრალიის ნაპირთან, ერისა და იორკის ნახევარკუნძულებს შორის. ნაპირები უმთავრესად დაბალი და სუსტად შეჭრილ-შემოჭრილი. ყურეში შეჭრილია 330 კმ-ზე, მისი სიგანე შესასვლელთან დაახლ. 30 კმ, ბოლოში — 64 კმ-მდე. მოქცეულია არასწორი დღეღამური, სიმაღლე 3,6 მ-მდე. დიდი ნაწილი გურია პორტ-პირი. სახელი ეწოდა ინგლ. საზღვ. მინისტრის ჯ. სპენსერის პატივსაცემად.

სპერანსკაია ნადეჟდა სემიონოვნა (დ. 3. VII. 1912, ქ. ულიანოვსკი), საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1950). სკკპ წევრი 1941-იდან. 1929 მოღვაწეობა დაიწყო 1928-იდან მუშა-ახალგაზრდობის თეატრში. 1934 ბაქოს წითელდროშოვანი მუშა-ტრის, 1934-იდან კი — თბილ. დოვის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობია. როლები: ლიზა (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), მაშენკა (ა. ა. ნოვის „მაშენკა"), ვასილისა (ჩუკის „ძახველის ჭალა"), მარფა (სელის „კიკვიძე"), ნატაშა (ჩეხოვი და"), ბიანკა (შექსპირის „ოტელო"), მარია ანტონოვნა (გოგოლის „რი"), ვიოლა (შექსპირის „მეღამე"), პოლია (გორკის „მდაბალია (კორნეიჩუკის „პლატონ კრ და სხვ. დაჯილდოებულია „საპატ ნის" ორდენითა და მედლებით.

შ. ცუც

სპერანსკი ალექსი დიმიტრის ძე (XII. 1887 (11. I. 1888), ურჟუმი, ლანდ. კიროვის ოლქი, — 23. VI 1961, მოსკოვი], საბჭ. პათოლოგი, სსრკ აკად. (1939) და სსრკ მედ. მეცნ. (1944) აკადემიკოსი. სკკპ წევრი იდან. 1911 დაამთავრა ყაზანის უ სამედ. ფაკ-ტი. 1923—28 ი. პ ასისტენტი და ერთდროულად იდან) ლენინგრ. ქირურგ. ნევრ ლოგიის ინ-ტის ექსპერ. განყ-ბის ნიზატორი და ხელმძღვანელი. ლ ექსპერ. მედ. ინ-ტის პათოფიზიოლ 34) და 1934-იდან მოსკ. ექსპე საკავშ. ინ-ტის ზოგადი პათოლ. გა გამგე. 1945-იდან სსრკ მედ. მეც ზოგადი და ექსპერ. პათოლ. ინრექტორი.

ს-ს ძირითადი შრომები ეხება ლი სისტემის როლს სხვადასხვა პროცესის აღმოცენებაში, განვი მექანიზმებში, მიმდინარეობასა სავალში; პათოლ. და ექსპერ. ფიზიოლოგიას. ს-სა და მისი ების შრომებში გამოვლენილია ევული დისტროფიების მიმდინარეერთო კანონზომიერებანი და თრებანი, დადგენილია ნერვული როლი დარღვეული ფუნქციების საციისა და გამოჯანმრთელების პრში. სსრკ სახელმწ. პრემია (19 პავლოვის სახ. სსრკ მეცნ. აკად. (1937). დაჯილდოებულია 2 ორდენით, 2 სხვა ორდენითა და ბით.

თხზ.: Избр. труды, М., 1955; системн. патологии, М.—Л., 193

ლიტ.: О с т р ы й О. Я., идей нервизма в системе исследова демика А. Д. Сперанского, Т6., 19

სპერანსკი გიორგი ნესტორის ძე (19). II. 1873, მოსკოვი, — 14. იქვე], საბჭ. პედიატრი, დედათა და შვთა დაცვის სისტემის შექმნის რი მონაწილე. სსრკ მეცნ. აკად. (1943), სსრკ მედ. მეცნ. აკად. კოსი (1944), სოციალ. შრომის (1957). 1898 დაამთავრა მოსკ. სამედ. ფაკ-ტი. 1912 დაარსა ჩვ შვთა პირველი სახლი მოსკოვში

ვ. ლებედევასა და მისიე ინიცია-
ი დაარსებული დედათა და ბავშ-
დაცვის ინ-ტის (ამჟამად სსრკ მედ.
აკად. პედიატრიის ინ-ტი) დირექ-
. 1931—62 ექიმთა დახელოვნების
ჩ. ინ-ტის პედიატრიის კათედრის
. ს-ს ძირითადი შრომები ეძღვნება
ხარობის წინა და შემდგომი პე-
ების პროფილაქტ., ბავშვთა ასაკის
ოლ. და პათოლ., ბავშვის კვების,
ის, გაკაჟებისა და აღზრდის პრობ-
ს. ბავშთა ექიმების I ყრილობ. საზ-ბის
ე (1938—62), ჟურნ. „პედიატრი-
ამაარსებელი და რედაქტორი (1972
ლს ს-ს სახელი მიენიჭა). ლენინუ-
რემია (1970). დაჯილდოებულია 4
ნის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და
ებით.

ხ.: Мать и дитя, М., 1960 (თანაავტ.: Архангельский).

ტ.: Чумаевская О. А., Г.
еранский, М., 1973.

ანსკი მიხეილის ძე [1
1772, სოფ. ჩერკუტინო, ახლანდ.
იმირის ოლქი, — 11 (23). 2. 1839,
ბურგი], რუსი სახელმწიფო მოღვა-
რაფი (1839). 1791 დაამთავრა პე-
ალექსანდრე ნეველის სემინარია.
იდან სახელმწ. სამსახურში იყო.
-07 — შინაგან საქმეთა სამინისტროს
ტამენტის დირექტორი. შეადგინა
მწ. რეფორმების რამდენიმე პრო-
(უმთავრესია „რუსეთის სასამართ-
და სახელმწიფო დაწესებულებების
ბის შესახებ", 1803). 1807-იდან
ლექსანდრე I-ის სახელმწ. მდივანი
1808-იდან — კანონთა შემდგენი კო-
ა წევრი, იუსტიციის მინისტრის ამ-
ი. 1809 ალექსანდრე I-ის დავალე-
მოამზადა სახელმწიფო გ ირდაქმნა-
როექტი — „სახელმწიფო კანონთა
ების შესავალი", რ-შიც მოითხოვდა
ში კონსტიტუციური მონარქიის შე-
სას, რაისა თავიდან აეცილებინათ
ცია. ს-ს პროექტით პოლიტ.
ბები ეძლეოდა მხოლოდ თავადაზნა-
ს და „საშუალო მდგომარეობის
ანებს" (ვაჭრებს, მოქალაქეებს,
მწ. გლეხებს, რ-ებიც ირჩევდნენ
ინმდებლო სახელმწ. სათათბიროს
ნმკვარეულებელი საოლქო და სა-
ნიო სათათბიროებს, აგრეთვე სა-
. ორგანოებს). „მუშა ხალხს" (ყმა
ები, მუშები, შინამოსამსახურეები)
და მხოლოდ ზოგიერთი სამოქალაქო
ბა ბატონყმობის შენარჩუნების პი-
ში. ს-ის ინიციატივით 1809 გამო-
ბრძანებულება, რ-იც მოხელეთაგან
ლების გარკვეულ დონეს მოითხოვდა.
ეფორმებმა თავად-აზნაურთა უკმა-
ება გამოიწვია; 1812 იგი გადაასახ-
იეწნ-ნოვგოროდში, შემდეგ პერმში.
პეტერბურგში დანიშნეს სახელმწ.
ს წევრად, სახელმწ. კანონების
ენი კომისიის თავ-რედ. ამ დროი-
. იცავდა შეუზღუდავ მონარქიას.
ლმძღვანელობით შედგა რუს. იმპე-
კანონთა სრული კრებული 45 ტო-
1830), რუს. იმპერიის კანონთა კრე-
15 ტომად (1832) და სხვ.

ხ.: Обозрение исторических сведе-
своде законов, Од., 1889; План госу-
енного преобразования (Введение к
нию государственных законов),
905; Проекты и записки, М.—Л.,

ტ.: Довнар-Запольский М.
олитические идеалы М. М. Спе-
ro, М., 1905; Корф М. М.,
графа Сперанского, т. 1—2, СПб.,

ვ. მაჭარაძე.

ანსკი სერგეი ბორისის ძე [დ.
8). V. 1914, ყაზანი], საბჭ. არქი-
ტორი. სსრკ სახ. არქიტექტორი (1971).
წევრი 1957-იდან. დაამთავრა ლე-
.სამხატვრო აკადემია (1941), ას-
ის იქცე 1947-იდან. ნამუშევრები
ავტორებთან ერთად): ელექტრო-
ტექ. ინ-ტი (1958), საცხოვრ. სახლები
მოსკოვისა (1956—61) და ნოვოიზმაი-
ლოვსკის (1964—65) პროსპექტებზე, ტე-
ლეცენტრი (1962) — ყველა ლენინგრად-
ში; სასტუმრო „ლენინგრადი" ლენინგ-
რადში (1970) და საბაჟოს შენობათა
კომპლექსი (1967, სსრკ-ფინ. საზღვარ-
ზე) — სსრკ სახელმწ. პრემია (1973).
„ლენინგრადის 1941—43 გმირული დაც-
ვისა და ლენინგრადთან 1944 გერმანელ-
ფაშისტთა ჯარების განადგურების ალსა-
ნიშნავი მონუმენტი"; ლენინური პრემია,
1978. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და
მედლებით.

სპერი (Spurr) ჯოზუზაია ედუარდ (1.
X. 1870, გლოსტერი, მასაჩუსეტსის შტ.,—
12. I. 1950, ორლენდო, ფლორიდის შტ.),
ამერიკელი გეოლოგი. 1893 დაამთავრა
ჰარვარდის უნ-ტი. 1902—06 მუშაობდა
აშშ-ის გეოლ. კომიტეტში, 1906—17 სხვა-
დასხვა სამთამადნო კომპანიებში. ს-ის
ძირითადი შრომები ეხება მადანთწარმოქ-
მნის თეორიას, პეტროლოგიის, აგრეთვე
მთავარის რელიეფის საკითხებს. ს-ის სა-
ხელი ეწოდა მთას ალასკაზე და მი-
ნერალს — სპერიტი — $Ca_5[SiO_4]_2$
CO_3. ამერ. გეოლ. და გეოგრ. საზ-ბების
წევრი.

სპერი, მხარე ისტორიულ სამხრ.-დას.
საქართველოში, ქართლის (იბერია) სა-
მეფოს უკიდურესი სამხრ.-დას. პროვინცია
მდ. ჭოროხის ზემო დინების აუზში (ახ-
ლანდ. თურქ. პროვინცია ისპირი). მკვლე-
ვართა დიდი ნაწილი ს-სა და მის მოსახ-
ლეობას მიიჩნევს აღმოსავლელი ქართული
ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტუ-
რული წრის შემადგენელ ნაწილად. ს-ის
ტერიტ. უძველეს ხანაში მნიშვნელოვნად
სჭარბობდა მის საზღვრებს შუა საუკუნეებ-
ში, რაც აქ მოსახლე აღმოსავლელი ქართ-
ველი ტომების პოლიტ. გავლენის გაფა-
რთოებასთან იყო დაკავშირებული; პერი-
დოტე (ძვ. წ. V ს.) მათ სასპერებს უწო-
დებს (ტერმ. შეიძლება ნაწარმოები იყოს
მხარის სავარაუდო სახელწოდებისაგან
„სასპერ-ოდან"). ს-ის ტერიტ. შავ ზღვა-
მდე აღწევდა (აქედან სახელწოდება „სპე-
რის ზღუა"). ქართლის სამეფოს წარმოქ-
მნის (ძვ. წ. IV—III სს.) დროისათვის ს.
(მდ. ჭოროხის ზემო წელი) მის ერთ-
ერთ პროვინციას შეადგენდა (*სტრაბონი*
ს-ს „პარიადრის მთიანეთის" სახელით იხს-
ენიებს). ძვ. წ. II ს. დასაწყისში ს. სხვა ძვ.
ქართულ პროვინციებთან (ტაო, გოგარე-
ნე) ერთად სომხ. სახელმწიფოს შემადგენ-
ლობაში შევიდა, შემდგომ პერიოდში იგი
კვლავ ქართლს ეკუთვნოდა. IV—V სს-ში
ისევ სომხეთი ფლობდა. VI ს. ბოლოს და
VII ს. დასაწყისში ქართლის გამგებლო-
ბაში მოექცა. VII ს. 20-იან წლებში ს-ს
ბიზანტია დაეუფლა. XII—XIII სს-ში ს.
საქართვ. ფეოდ. მონარქიის შემადგენლო-
ბაში იყო, XIII ს. II ნახევრიდან სამცხის
სამთავროს ეკუთვნოდა. XIII ს. ბოლოს
სამცხის მთავარმა ბექა მანდატურთუხუ-
ცესმა ს-ში დაამარცხა ოსმალთა ლაშქა-
რი. XV—XVI სს-ში ს. საქართვ. სხვა ტე-
რიტორიებთან ერთად ოსმალეთმა მი-
ითვისა.

ლიტ.: ჯანაშია ს., შრომები, [ტ.] 2, თბ., 1952; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

დ. მუსხელიშვილი.

სპერმა (ბერძნ. sperma—თესლი), თ ე ს-
ლი, ეიაკულატი, მამრობითი ინ-
დივიდების მიერ სქესობრივი აქტის დროს
გამოყოფილი სითხე, ფერად მორუხო-
თეთრია, მღვრიე, ბლანტი, სუსტი ტუტე
რეაქცია აქვს. შედგება *სპერმატოზოიდე-
ბისა* და სათესლე სითხისაგან — მამრობ-
ით სასქესო გზებთან დაკავშირებული
ჯირკვლების (სათესლე ბუშტუკების,
პროსტატის და კუპერის ჯირკვლების)
სეკრეტისაგან. ს-ის წარმოქმნა იწყება
სქესობრივი მომწიფების პერიოდში, მაქ-
სიმუმს აღწევს მოწიფულობის ასაკში და
მცირდება დაბერებისას. ს-ის გამანაყო-
ფიერებელი უნარი დამოკიდებულია
სპერმატოზოიდების რაოდენობასა და ხა-
რისხზე. ს-ში სპერმატოზოიდების რაო-
დენობა მეტად ცვალებადია და დამოკიდე-
ბულია სასქესო ჯირკვლების და მთელი
ორგანიზმის ფიზიოლ. მდგომარეობაზე.
უხერხემლო ცხოველების უმრავლესობა-
სა და ზოგიერთ ხერხემლიანს ს. სეზო-
ნურად გამოუმუშავდება ორგანიზმის ზო-
გიერთი პათოლ. მდგომარეობისას ს. ან
არ შეიცავს სპერმატოზოიდებს (აზოოს-
პერმია), ან შეიცავს მცირე რაოდენო-
ბით (ოლიგოსპერმია) და სხვ.

გ. პაპიძე.

სპერმატოგენეზი (ბერძნ. sperma, ნათ. ბრ. spermatos — თესლი და ...*გე-
ნეზი*), მამრობითი სასქესო უჯრედების
განვითარების პროცესი. ს. შედგება 4
პერიოდისაგან: გამრავლების პე-
რიოდში დიპლოიდური სასქესო უჯ-
რედები (სპერმატოგონიები) ინტენსიუ-
რად იყოფიან მიტოზურად; ზრდის პე-
რიოდში სასქესო უჯრედები (I
რიგის სპერმატოციტები) აღარ იყოფიან
და ინტენსიურად იზრდებიან. ამ დროს
ბირთვის ქრომოსომული აპარატი განი-
ცდის რთულ ცვლილებებს; მომწი-
ფების პერიოდი ხასიათდება უჯ-
რედების ორჯერადი გაყოფით (მეიოზი),
რის შედეგადაც ქრომოსომების რაოდენო-
ბა 2-ჯერ მცირდება. პირველი მოსამწი-
ფებელი გაყოფის შემდეგ მიღებულ შვი-
ლეულ უჯრედებს ეწოდებათ II რიგის
სპერმატოციტები (პრესპერმატიდები),
მეორე მოსამწიფებელი გაყოფისას წარ-
მოქმნილ ჰაპლოიდურ უჯრედებს კი —
სპერმატიდები; ფორმირების პე-
რიოდში (სპერმიოგენეზი) ხდება
სპერმატიდების *სპერმატოზოიდებად* გარ-
დაქმნა. ამ დროს იწყება სპერმატიდების
დაგრძელება, ბირთვების თანდათანობით
გამკვრივება, აკროსომასთან (ვითარდება
ფირფიტოვანი კომპლექსიდან) ერთად უჯ-
რედის აპიკალურ პოლუსზე გადანაცვლე-
ბა და სპერმატოზოიდის თავის წარმოქმ-
ნა. ამასთან ერთად, გადანაცვლებას იწყე-
ბენ აგრეთვე ცენტრიოლები, რ-თაგანაც
პოლტი გამოიზრდება, და მიტოქონდრიე-
ბი, რ-ებიც სპირალურად ლაგდებიან ღერ-
ძული ძაფის ირგვლივ და ქმნიან ე. წ.
თანმხლებ ბირთვს. ორგანოიდების გადა-
ადგილება-გარდაქმნის პარალელურად
უჯრედი კარგავს ციტოპლაზმის დიდ
ნაწილს. ფორმირების პროცესში სასქესო
უჯრედები ჩაფლული არიან სუსტენტო-
ციტების (სერტოლის უჯრედების) ციტო-
პლაზმაში. სპერმატოზოიდების წარმო-
ქმნას ციკლური ხასიათი აქვს.

გ. პაპიძე.

სპერმატოზოიდი (ბერძნ. sperma, ნათ. ბრ. spermatos — თესლი, zoon — ცოცხა-
ლი არსება და eidos—სახეობა), მამრობი-
თი სასქესო უჯრედი. აღმოაჩინა გამმა
1677. ს. წარმოიქმნება მამრობით სასქე-
სო ჯირკვალში — *სათესლეში*. უფრო ხში-
რად გავრცელებულია ს-ის ძაფისებური
ფორმები, რ-თა სამოძრაო აპარატია კუ-
დი. კიბოსნაირების, მრგვალი ჭიების,
ტკიპებისა და ზოგი სხვა ცხოველის ს-ები
უკუდოა. თითოეული სახეობისათვის
დამახასიათებელია ს-ის განსაზღვრული
ფორმა. ს-ის სიგრძე სხვადასხვაა და არ
არის დამოკიდებული ცხოველის განვითა-
რების დონესა და სხეულის ზომაზე (მაგ.,
ხარის ს-ის სიგრძეა 65 *მკმ*, ბეღურისა—
200 *მკმ*, ნიანგისა—20 *მკმ*, ადამიანისა—
50—60 *მკმ*). ცხოველთა ევრავლესობის
ს-ები შედგება 2 ძირითადი ნაწილისა-
გან — თავისა და კუდისაგან. თავის ძი-
რითადი ელემენტია ბირთვი და მის
აპიკალურად მდებარე აკროსომა. კუდის
მთავარი სტრუქტურული ელემენტია ღერ-
ძული ძაფი (აქსონემა), რ-იც იწყება შუა
ნაწილში მოთავსებული ბაზალური სხე-



ა. სპერანსკი.



გ. სპერანსკი.



ს. სპერანსკი.

ულიდან (ცენტრიოლიდან) და მთელ კუდს გასდევს. ლერძული ძაფის ულტრასტრუქტურა წამწამების აგებულების მსგავსია. იგი შედგება ცენტრ. 2 მიკრომილაკისაგან, რ-ის ირგვლივაც განლაგებულია 9 ორმაგი მიკრომილაკი. შუა ნაწილში, ლერძული ძაფის ირგვლივ, მოთავსებულია სპირალურად დალაგებული მიტოქონდრიები (ე. წ. თანმხლები ბირთვი), რის გამოც ს-ის მეტაბოლური და ენერგეტ. აქტივობა ამ უბანთანაა დაკავშირებული.

მ ც ე ნ ა რ ე თ ა ს. (ანთეროზოიდი) წარმოიქმნება ანთერიდიუმში. თესლოვანი მცენარეების უმრავლესობის ს-ები უშოლტოა (*სპერმია*) და ამიტომაც აქტიურად ვერ მოძრაობენ. მწვანე და წაბლა წყალმცენარეების, ზოგიერთი უმდაბლესი სოკოების, ხავსების, სელაგინელების და სხვ. ს-ებს 2 და მეტი შოლტი აქვთ. ს-ს არა აქვს ცელულოზოვანი გარსი, მეტწილად ძალიან წვრილია (გამონაკლისია ზოგიერთი საგოვანასნაირის ს., რ-ის დიამეტრია 300 *მკმ* და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს), აქვს დიდი ბირთვი და მცირე რაოდენობით ციტოპლაზმა.

გ. პაპიძე.

სპერმატოფორები (ბერძნ. sperma — თესლი და phoros — მტარებელი), ზოგი ცხოველის *სპერმის* შეწებებული გროვები, რ-ებიც გარემოცულია მამლის სასქესო გზებში წარმოქმნილი კაფსულით. ს-ით ნაყოფიერდება რგოლოვანი ჭიების, მოლუსკების, ონიქოფორების, ფეხსახსრიანების, ხერხემლიანების (მაგ., ტრიტონები) შინაგანი განაყოფიერების მქონე ცალკეული ფორმები. ს-ის შეღწევა დედლის ორგანიზმში ხდება *საკოპულაციო ორგანოებით* (უმეტესად ე. წ. გონოპოდიუმებით) ან სხვაგვარად (კანში ჩასობა, კლოაკით შეტაცება და სხვ.).

ლ. ნათაძე.

სპერმაცეტი (*სპერმა* და ბერძნ. kētos — ზღვის დიდი ცხოველი), ცვილისებრი ნივთიერება, რ-საც იღებენ *კაშალოტის* თავის ფიბროზული პარკიდან. შედგება პალმიტინმჟავასა და ცეტილის სპირტის რთული ეთერისაგან. ს. წყალში უხსნადი თეთრი ფირფიტისებრი კრისტალებია. კარგად იხსნება ეთერში, აცეტონში, ცხელ სპირტში. $t_{დნ}$ 53—54°C. იყენებენ კოსმეტიკაში კრემებისა და მალამოების დასამზადებლად.

სპერმაციუმები (<ბერძნ. sperma — თესლი), 1. ძოწეული წყალმცენარეების მამრობითი სასქესო უჯრედები. 2. ჟანგასკოების სპორები, რ-ებიც ვითარდებიან *სპერმოგონიუმებში*; მათ პიკნიდიოსპორებსაც უწოდებენ. 3. ლიქენების ჩანთიანი სოკოების სპორები; ხშირად *კონიდიუმებს* ანუ პიკნიდიოსპორებს უწოდებენ.

სპერმია (<ბერძნ. sperma — თესლი), სამოძრაო სტრუქტურას (შოლტებს) მოკლებული მამრობითი სასქესო უჯრედი (მამრობითი გამეტა) მცენარეებში. მტვრის მარცვალში (მიკროსპორაში) ან მისგან განვითარებულ მტვრის მილში სპერმაგენული უჯრედიდან წარმოიქმნება 2 ს. არქეგონიუმში (შიშველთესლოვნებში) ან ჩანასახის პარკში (ფარულთესლოვნებში) ჩაზრდისას მტვრის მილიდან თავისუფლდება ორივე ს. შიშველთესლოვნებში ერთი ს. უერთდება მდედრობით გამეტას — კვერცხუჯრედს, ხოლო მეორე იღუპება; ფარულთესლოვნებში კი ერთი უერთდება კვერცხუჯრედს, მეორე კი — ცენტრ. უჯრედის მეორეულ ბირთვს (იხ. *ორმაგი განაყოფიერება*). გვიმრანაირების, ხავსების, ზოგიერთი შიშველთესლოვნების მამრობითი გამეტები შოლტებიანი *სპერმატოზოიდებია*.

გ. ღვალაძე.

სპერმოგონიუმი (ბერძნ. sperma — თესლი და gonos —დაბადება, ნაყოფი), განსაკუთრებული სათავსი ჟანგასკოების მიცელიუმში, რ-შიც ვითარდება სპორები—*სპერმაციუმები*.

სპეროზის ქედი, კახეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განშტოება, მდებს ალაზნისა და სამგურისწყლის წყალგამყოფი. უმაღლესი მწვ. ქოჩარა (3111 *მ*). აგებულია ქვედაიურული ასპიდური თიხაფიქლებით, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვებით, არკოზული ქვიშაქვების ლინზებით. კალთები ციცაბოა, დასერილია ვიწრო ხევებით. არის მყინვარული ფორმები. თხემური ზოლი შემოსილია ალპ. და სუბალპ. მდელოებით, კალთები — ძირითადად წიფლნარით.

გ. ჩანგაშვილი.

სპერჭური, დასარტყმელი სამუსიკო საკრავი. ს.-ს. ორბეღიანის განმარტებით, თურქთა დასარტყმელი სამუსიკო საკრავის — დიდი ნაღარის (ქოსის) ქართული სახელწოდებაა. ქართულად მას სპერმური, სპილენძჭურიც ეწოდება.

სპექტაკლი (ფრანგ. spectacle <ლათ. spectaculum — სანახაობა), სცენური ხელოვნების ნაწარმოები, რ-საც ქმნის თეატრალური კოლექტივი (მსახიობები, მხატვარ-დეკორატორი, კომპოზიტორი და სხვ.), თანამედროვე თეატრში დამდგმელი რეჟისორის მეთაურობით. დრამ. თეატრში ს-ის მომზადების პროცესი იწყება პიესის არჩევით, რაც განისაზღვრება მაყურებელთა სულიერი და ესთეტ. მოთხოვნებით, დასის შესაძლებლობებით და სხვ. დამდგმელი რეჟისორი განიხილავს პიესას მთლიანობაში მის ძირითად როლებს და განსაზღვრავს მომავალი ს-ის ფორმას. ს-ის დადგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მიზანსცენების განსაზღვრა, მიზანსცენის დეკორ. და ბუტაფორიულ გაფორმებასთან შესაბამისობა. ს-ის რიტმი და ტემპი ცოცხლდება მხოლოდ მსახიობთა შთაგონებული შესრულებით, ამიტომ დამდგმელის ძირითადი ამოცანაა — მსახიობებთან მუშაობა რეპეტიციის დროს. მიზანსცენების შეწოწმება ხდება როცა სპექტაკლი საბოლოოდ გაფორმებულია, კოსტიუმებში, გრიმებში. ს-ზე მუშაობის დასკვნითი ეტაპია გენ. რეპეტიცია, რ-იც ტარდება მაყურებლისათვის, და ს-ის მონაწილეებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ, თუ რამდენად არის მიღწეული მიზანი.

სპექტრი (ლათ. spectrum — წარმოდგენა, გამოსახულება) ფიზიკაში, ერთობლიობა სხვადასხვა მნიშვნელობებისა, რ-ებიც შეიძლება მიიღოს მოცემულმა ფიზიკურმა სიდიდემ. ს. შეიძლება იყოს უწყვეტი და წყვეტილი (დისკრეტული). ყველაზე ხშირად ს-ის ცნებას იყენებენ რხევითი პროცესების მიმართ (იხ. *ბგერის სპექტრი*, *ოპტიკური სპექტრი*). ბირთვულ ფიზიკაში იყენებენ მასების, იმპულსების, ენერგიების, სიჩქარეებისა და სხვ. ს-ის ცნებას.

სპექტრომეტრი (*სპექტრი* და ... *მეტრი*), ფართო მნიშვნელობით — მოწყობილობა რომელიმე f ფიზიკური სიდიდის x პარამეტრის მიხედვით განაწილების ფუნქციის გასაზომად. $f(x)$ ფუნქციით შეიძლება განისაზღვროს ელექტრონების განაწილება, სიჩქარეების მიხედვით, (*ბეტა-სპექტრომეტრი*), ატომებისა—მასების მიხედვით (*მას-სპექტრომეტრი*), გამაკვანტებისა—ენერგიის მიხედვით (*გამა-სპექტრომეტრი*), სინათლის ნაკადის ენერგიისა—λ ტალღის სიგრძის მიხედვით (ოპტ. ს.) და სხვ.; ვიწრო მნიშვნელობით — ს-ს უწოდებენ *სპექტრულ ხელსაწყოებს*, რ-ებსაც გამოსხივების ფოტოელექტრული მიმღებების მეშვეობით $f(\lambda)$ ოპტ. სპექტრების გასაზომად იყენებენ.

სპექტრომეტრია (*სპექტრი* და ... *მეტრია*), სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც ამუშავებს სპექტრების გაზომვის მეთოდებსა და თეორიას. ტალღის სიგრძეთა ოპტ. დიაპაზონში ს. აერთიანებს გამოყენებითი *სპექტროსკოპიის*, *მეტროლოგიისა* და წრფივი სისტემების თეორიას; ს-ს იყენებენ *სპექტრული ხელსაწყოების* პრინციპული სქემების შერჩევის დასაბუთებისა და გაანგარიშების მეთოდების ოპტიმიზაციისათვის.

სპექტროსკოპია (*სპექტრი* და ... *სკოპია*) ფიზიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრებს. სპექტროსკოპიული მეთოდებით შეიძლება გამოკვლეულ იქნეს ატომების, მოლეკულებისა და მათგან შედგენილი მაკროსკოპული სისტემების ენერგეტ. დონეები და კვანტური გადასვლები ამ დონეებს შორის, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ნივთიერების აღნაგობასა და თვისებებზე. ს-ის გამოყენებით უმნიშვნელოვანესი დარგებია *სპექტრული ანალიზი* და *ასტროფიზიკა*.

ს-ის ჩასახვის თარიღად მიიჩნევენ 1666, როდესაც ი. *ნიუტონმა* პირველად დაშალა სპექტრად მზის სინათლე. ს-ის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო XIX ს. დასაწყისში მზის სპექტრში შთანთქმის ხაზების (*ფრაუნჰოფერის ხაზები*) აღმოჩენა და შესწავლა, შთანთქმისა და გამოსხივების სპექტრებს შორის კავშირის დადგენა (*გ. კირხჰოფი*, რ. *ბუნზენი*, 1859) და მათ საფუძველზე სპექტრული ანალიზის აღმოცენება. სპექტრული ანალიზით პირველად გახდა შესაძლებელი ასტრონ. ობიექტების (მზის, ვარსკვლავების, ნისლეულების) შედგენილობის განსაზღვრა. XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ს. ვითარდებოდა როგორც ემპირიული მეცნიერება. დაგროვდა დიდძალი მასალა ატომებისა და მოლეკულების სპექტრების შესახებ, დადგინდა სპექტრული ხაზების და ზოლების განლაგების კანონზომიერებანი. 1913 წ. *ბორმა* ახსნა ეს კანონზომიერებანი კვანტური თეორიის საფუძველზე. ამ თეორიის მიხედვით ელექტრონმაგნ. გამოსხივების სპექტრების წარმოქმნა დაკავშირებულია ატომური სისტემის ენერგეტ. დონეებს შორის კვანტურ გადასვლებთან *ბორის პოსტულატების* შესაბამისად. შემდგომში ს-მ დიდი როლი შეასრულა *კვანტური მექანიკისა* და *კვანტური ელექტროდინამიკის* ჩამოყალიბებაში, რ-ებიც, თავის მხრივ, თანამედროვე ს-ის თეორიულ ბაზად გადაიქცნენ.

ს-ის დაყოფა შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. *ელექტრომაგნიტური ტალღების* სიგრძის (ან სიხშირის) დიაპაზონის მიხედვით ს-ში გამოყოფენ *რადიოსპექტროსკოპიას*, რ-იც მოიცავს რადიოტალღების მთელ არეს; ოპტ. ს-ს, რ-იც შეისწავლის *ოპტიკურ სპექტრებს* და მოიცავს ინფრაწითელ ს-ს, ხილულ გამოსხივების ს-სა და *ულტრაიისფერ სპექტროსკოპიას*; რენტგენულ ს-სა და *გამა-სპექტროსკოპიას*. თითოეული მათგანის სპეციფიკა ემყარება შესაბამის დიაპაზონის ელექტრომაგნ. ტალღების თავისებურებებს, მათი მიღებისა და კვლევის მეთოდებს. რადიოსპექტროსკოპიაში იყენებენ რადიოტექ. მეთოდებს, რენტგენულ ს-ში — რენტგენის სხივების მიღების და კვლევის მეთოდებს, გამა-ს-ში—ბირთვული ფიზ. ექსპერ. მეთოდებს, ოპტ. ს-ში — ოპტ. მეთოდებს თანამედროვე რადიოელექტრონიკის მეთოდებთან ერთად ხშირად ტერმ. „ს-ში" გულისხმობენ მხოლოდ ოპტ. ს-ს.

ს. შეიძლება დაიყოს კონკრ. ექსპერ. მეთოდების შესაბამისადაც. ოპტ. ს-ში გამოყოფენ: ი ნ ტ ე რ ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ს-ს (დაფუძნებულია ინტერფერენციაზე და იყენებს ინტერფერომეტრებს); *კუთხურ სპექტროსკოპიას*; ფურიე-ს- და ლაზერულ ს-ს (რ-იც ლაზერის გამოყენებას ემყარება). ულტრაიისფერ რენტგენული ს-ის ერთ-ერთი ნაწილ

ლტოელექტრონული *სპექტროსკოპია*, ...იც დაფუძნებულია ულტრაიისფერი და ...ენტგენული ფოტონების შთანთქმისას ...ივთიერებიდან ამოგლეჯილი ელექტრო...ების ენერგეტ. ანალიზზე.

გამოსაკვლევი სისტემების ტიპების მი...ედვით განასხვავებენ ატომურ (შეისწავ...ების ატომურ სპექტრებს), მოლეკულურ შეისწავლის *მოლეკულურ სპექტრებს*) ...ა ნივთიერების კონდენსირებული მდგო...არეობის (კერძოდ, კრისტალების) ს.-ს. ოლეკულაში მოძრაობათა ტიპების (ელექ...რონული, რხევითი, ბრუნვითი) შესაბა...ისად მოლეკულურ ს.-ს ყოფენ ელექტრონულ, რხევით და ბრუნვით ს.-ად. ანა...ოგიურად განასხვავებენ კრისტალების ელექტრონულსა და რხევით ს.-ს. ატომე...ის, მოლეკულებისა და კრისტალების ...-ში იყენებენ ოპტ. ს.-ის, რენტგენული ...-ისა და რადიოსპექტროსკოპიის მეთოდებს.

კვლევის განსაკუთრებული დარგია ...ირთული სპექტროსკოპია, რ-იც მოი...ავს გამა-, ალფა- და ბეტა-ს.-ს. მათგან ...ოლოდ გამა-ს. განეკუთვნება ელექტრო...სგნ. გამოსხივების ს.-ს.

კრისტალთა ს. ექსპერ. მეთოდების ...ანსაკუთრებული მრავალნაირობა დამა...ასიათებელია კრისტალების ს.-თვის.

კრისტალების ს. შეისწავლის შთანთქ...ის, არეკვლის, ლუმინესცენციისა და გაბ...ევის სპექტრებს და მათზე გარეშე ზე...ოქმედების, მაგ. ელექტრული ველის *შტარკის ეფექტი*), მაგნ. ველის (*ზე...ანის ეფექტი*). კრისტალის ყოველმხრი...ი შეკუმშვის ან მიმართული დეფორმა...იის (პ ი ე ზ ო ს პ ე ქ ტ რ ო ს კ ო პ ი...ლ ი ე ფ ე ქ ტ ი) და სხვ. გავლენას, გრეთვე კრისტალთა სპექტრების დამო...იდებულებას ტემპ-რასა (სტრუქტურისა და ინტენსიურობის ცვლილება, ზოლების ...ანაცვლება და გაგანიერება) და სინათ...ის პოლარიზაციაზე.

კრისტალების ს. საშუალებას გვაძლევს ...ივიღოთ ინფორმაცია კრისტალის ენერ...ეტ. დონეების სისტემაზე, ნივთიერებას...ან სინათლის ურთიერთქმედების მექა...იზმზე, კრისტალში შთანთქმული ენერგი...ს გადატანასა და გარდაქმნაზე, ფოტო...იმ. რეაქციებსა და ფოტოგამტარობაზე. ...რისტალების ს. იძლევა აგრეთვე ინ...ორმაციას კრისტალური მესრის სტრუქ...ურაზე, სხვადასხვა დეფექტის აღნაგო...ასა და ორიენტაციაზე და სხვ. კრისტა...ების ს-ის შედეგებზეა დაფუძნებული ...რისტალთა გამოყენება *კვანტურ ელექტ...ონიკაში*, ლუმინოფორებად, სცინტილატ...რებად, სინათლის ენერგიის გარდამქმნე...ებად, ინფორმაციის ჩასაწერად და სხვ.

ლაზერების გამოყენება ს-ში (ლაზე...ული ს.) საშუალებას გვაძლევს გადავ...ყვიტოთ ისეთი ამოცანები, რ-თა გადა...ყვეტა ჩვეულებრივი მეთოდებით შეუძ...ებელია.

ლიტ.: Ельяшевич М. А., Атомная и молекулярная спектроскопия, М., 1962; Кросс А. Д., Введение в практическую инфракрасную спектроскопию, пер. с англ., М., 1961; Майэель Л., Леонхардт Г., Сарган Р., Рентгеновские спектры и химическая связь, пер. с нем., К., 1981.

სპექტროსკოპია ბირთვული, ბირთვუ...ი ფიზიკის დარგი, რ-იც ეძღვნება ...ირთვული მდგომარეობების დისკრეტუ...ი სპექტრის შესწავლას — ენერგიის, ...პინის, ლუწობის, იზოტოპური სპინისა და ბირთვის სხვა კვანტური მახასიათებ...ების განსაზღვრას ძირითად და აგზნე...ულ მდგომარეობებში. ამ მონაცემების ...ნიშვნელობა აუცილებელია ბირთვების ...ტრუქტურის ასახსნელად და ნუკლონებს შორის მოქმედი ძალების შესახებ ცნობე...ის მისაღებად (იხ. *ატომის ბირთვი*). ...ამოთვლილ მახასიათებლებს ადგენენ ...ირთვის მიერ ან რადიოაქტ. დაშლის ...როცესის, ან *ბირთვული რეაქციების* დროს ...ამოფრქვეული გამოსხივების ენერგიის, ინტენსიურობის, კუთხური განაწილებისა და პოლარიზაციის გაზომვით. სპექტროსკოპიული მონაცემების მიღებას რადიოაქტ. დაშლის გამოკვლევის მიხედვით ხშირად რ ა დ ი ო ა ქ ტ ი ურ ი გ ა მ ო ს ხ ი ვ ე ბ ი ს ს პ ე ქ ტ რ ო ს კ ო პ ი ა ს უწოდებენ. ამასთან, განასხვავებენ α-, β- და γ-სპექტროსკოპიას გამოსხივების ტიპის მიხედვით. იმ ბირთვულ-სპექტროსკოპიული გამოკვლევების დროს, რ-ებიც დაფუძნებულია ბირთვული რეაქციების გამოყენებაზე, უპირატესად მიმართავენ ე. წ. პირდაპირ ბირთვულ რეაქციებს, ბირთვის კულონურ აგზნებასა და რეზონანსულ რეაქციებს.

ს. ბ-ს ფართოდ იყენებენ მეცნ. მრავალ დარგში. მაგ., *მესბაუერის ეფექტს*, რ-საც ს. ბ-ში ადრე იყენებდნენ როგორც ბირთვების აგზნებული მდგომარეობების სიცოცხლის ხანგრძლივობის გასაზომ მეთოდს, ამჟამად წარმატებით იყენებენ მყარი სხეულის ელექტრონული სტრუქტურისა და მოლეკულების აღნაგობის შესასწავლად და სხვ.

ლიტ.: Альфа-, бета- и гамма-спектроскопия, пер. с англ., в. 1—4, М., 1969.


სპექტროფოტომეტრი (*სპექტრი*... და *ფოტომეტრი*), სპექტრული ხელსაწყო, რ-საც იყენებენ ფოტომეტრირებისათვის, ე. ი. გასაზომი ნაკადის შესადარებლად ეტალონურ (რეფერენტულ) ნაკადთან გამოსხივების უწყვეტი ან წყვეტილი ტალღის სიგრძეებისათვის. ს. უზრუნველყოფს ათვლას ან შედარებათა შედეგების ავტომ. რეგისტრაციას შესაბამის ორგანზომილებიან სკალაზე: აბსცისა არის ტალღის სიგრძე, ორდინატა — ამ ტალღის სიგრძეზე ფოტომეტრირების შედეგი. ს-ს უწოდებენ აგრეთვე ანალიზურ ხელსაწყოს, რ-იც სპექტრს კი არ ზომავს, არამედ განსაზღვრავს სინჯში ელემენტის კონცენტრაციას ატომთა აბსორბციის (ან ემისიის) ხაზების მიხედვით ალში (ატომურ-აბსორბციული ან ალის ს.) ან ნივთიერებათა ნარევში — კომპონენტის კონცენტრაციას შთანთქმის მახასიათებელი ზოლების მიხედვით (მაგ., ორტალღიანი ინფრაწითელი ს. ან ს.-ანალიზატორი).

სპექტროფოტომეტრია, გაზომვითი ტექნიკის დარგი, რ-იც აერთიანებს *სპექტრომეტრიას*, *ფოტომეტრიას*, *მეტროლოგიასა* და ამუშავებს შთანთქმის, არეკვლის და სხვ. სპექტრული კოეფიციენტების (როგორც გარემოს, ფენილის, ზედაპირის, გამომსხივარის მახასიათებლების) რაოდენობრივი გაზომვის მეთოდებისა და ხელსაწყოების სისტემას.

სპექტროელიოგრაფი (*სპექტრი* და *ჰელიოგრაფი*), მონოქრომატულ სხივებში *მზის* ფოტოგრაფირებისათვის განკუთვნილი ხელსაწყო. ოპტიკური სქემით ემთხვევა *სპექტროჰელიოსკოპს*, მისგან განსხვავებით, გამოსასვლელ ჭვრიტეზე მიმაგრებული აქვს ფირფიტასათავსი. ჭვრიტეები თანაბრად და სინქრონულად მოძრაობენ თავიანთი სიმაღლისადმი მართობულად, რის შედეგად შესასვლელ ჭვრიტეზე თანამიმდევრულად გეგმილდება მზის დისკოს სხვადასხვა ნაწილი, ხოლო გამოსასვლელ ჭვრიტეზე თითოეულის მონოქრომატული გამოსახულება ამავე თანამიმდევრობით აღიბეჭდება ფოტოფირზე და ქმნის მზის დისკოს მონოქრომატულ გამოსახულებას, ე. წ. სპექტროჰელიოგრამას. ჩვეულებრივ, მას წყალბადის H_α და იონიზებული კალციუმის H და K ხაზებში იღებენ მზის დისკოზე არსებულ წარმონაქმნთა შესასწავლად. დისპერსია ხდება პრიზმით ან დიფრაქციული გისოსით. ს-ის პირველი ნიმუშები XIX ს. 90-იან წლებში ააგეს ა. დელანდრმა (საფრანგეთი), ჯ. ჰეილმა (აშშ) და ჯ. ევერშედმა (ინდოეთი). პროტუბერანცების სპექტროჰელიოგრამა პირველად 1891 მიიღეს, მზის მთელი დისკოსი—1892.

სპექტროჰელიოსკოპი (*სპექტრი* და *ჰელიოსკოპი*), სპექტრული ასტრონომიული ხელსაწყო; იყენებენ მონოქრომატულ სხივებში მზეზე დასაკვირვებლად; სპექტროსკოპ-მონოქრომატორი, რ-ის შესასვლელი ჭვრიტის სიბრტყეზე სარკე ან გრძელფოკუსიანი ობიექტივი აგეგმილებს მზის გამოსახულებას, თვით ჭვრიტე ამოკვეთს ამ გამოსახულების ნაწილს, გამოსასვლელი ჭვრიტე კი გამოყოფს რომელიმე სპექტრულ ხაზს. ჭვრიტეების სწრაფი სინქრონული რხევითი მოძრაობისას ჩანს ამ ხაზში გამომსხივებელი მზის აქტ. წარმონაქმნები: ბოჭკოები, ფლოკულები, პროტუბერანცები და სხვ. ს-ის აგება პირველად სცადეს 1891 ა. დელანდრმა და ჯ. ჰეილმა.

სპექტრული ანალიზი, ნივთიერების ატომური და მოლეკულური შედგენილობის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრის ფიზიკური მეთოდი, რ-იც ემყარება ნივთიერების სპექტრის გამოკვლევას. ს. ა-ის ფიზ. საფუძველია ატომებისა და მოლეკულების *სპექტროსკოპია*. მისი კლასიფიკაცია ხდება სპექტრის ანალიზის მიზნისა და ტიპის მიხედვით. (იხ. *ოპტიკური სპექტრი*). ა ტ ო მ ურ ი ს. ა-ის (ასა) მეშვეობით ნიმუშის ელემენტურ შედგენილობას განსაზღვრავენ ატომების (იონების) გამოსხივებისა და შთანთქმის სპექტრების მიხედვით, მ ო ლ ე კ უ ლ ურ ი ს. ა-ის (მსა) მეშვეობით კი—ნივთიერების მოლეკულურ შედგენილობას შთანთქმის, *ლუმინესცენციისა* და *სინათლის კომბინაციური გაბნევის* (სკგ) მოლეკულური სპექტრების მიხედვით. ე მ ი ს ი ურ ს. ა-ს ატარებენ ელექტრომაგნ. გამოსხივების სხვადასხვა წყაროს მეშვეობით აგზნებული ატომების, იონებისა და მოლეკულების გამოსხივების სპექტრების მიხედვით, ა ბ ს ო რ ბ ც ი ულ ს. ა-ს კი — გამოსაკვლევი ობიექტის (სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში არსებული ნივთიერების ატომები მოლეკულები, იონები) შთანთქმის სპექტრების გამოკვლევით.




სპექტრული ანალიზი. ნახ. 1. ზომაჭდეების გრაფიკი (სამი ეტალონის მეთოდი).

ისტორიული ცნობა. ასა-ს საფუძვლად უძევს ქიმ. ელემენტების გამოსხივებისა და შთანთქმის სპექტრების ინდივიდ. ხასიათი, დადგენილი გ. *კირხჰოფისა* და რ. *ბუნზენის* მიერ (1859—61). ამ აღმოჩენაზე დაყრდნობით კირხჰოფმა (1861) დაამტკიცა, რომ მზის ქრომოსფეროში მრავალი ელემენტია, რითაც საფუძველი ჩაუყარა *ასტროფიზიკას*. 1861—1923 ასა-ით აღმოაჩინეს 25 ქიმ. ელემენტი, 1932 სპექტრული მეთოდით — დეიტერიუმი. 1926 გერმ. ფიზიკოსმა ვ. გერლახმა საფუძველი ჩაუყარა რაოდენობრივ ს. ა-ს.


ატომური სპექტრული ანალიზი (ასა). თ ვ ი ს ებ რ ი ვ ი ასა-ის განსახორციელებლად გამოსაკვლევი ნივთიერების სპექტრს ადარებენ სპეც. ცხრილებსა და ატლასებში მოყვანილი ელემენტების სპექტრულ ხაზებს.

რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი ასა ხორციელდება სინჯის სპექტრში ისეთი ორი სპექტრული ხაზის ინტენსიურობათა შედარებით, რ-თაგანაც ერთი ეკუთვნის გამოსაკვლევ ელემენტს, მეორე კი (შედარების ხაზი) — სინჯის ძირითად ელემენტს, რ-ის კონცენტრაცია ცნობილია, ან ელემენტს, რ-იც სპეციალურად შეაქვთ სინჯში („შინაგანი სტანდარტი").

რაოდენობრივი ასა ემყარება იმ თანაფარდობას, რ-იც არსებობს გამოსაკვლევი ელემენტის კონცენტრაციასა (*c*) და



სპექტრული ანალიზი. ნახ. 2. ორმაგი კეების ცვლადი დენის რკალის პრინციპული სქემა: A—ამპერმეტრი; R_1 და R_2—რეოსტატები; ტრ—ამამაღლებელი ტრანსფორმატორი; K—ინდუქციურობის კოჭა; აშ—ანალიზური შუალედი; დშ—დამხმარე შუალედი; C_1 და C_2—კონდენსატორები.



სპექტრული ანალიზი. ნახ. 3. მართვადი შუალედის მქონე კონდენსირებული ნაპერწკლის გენერატორის სქემა: ამ—სარეგულირებელი ანალიზური შუალედი, რომელიც წარმოიქმნება ვანადიუმის ელექტროდებით; R_1—რეოსტატი; ტრ—მკვებავი ტრანსფორმატორი; C—კონდენსატორი; L—ინდუქციურობის კოჭა; მმ—მმართველი შუალედი; R_2—მაბლოკირებელი წინაღობა.

ამ ელემენტისა და შედარების ხაზის ინტენსიურობათა (I_1 და I_2) ფარდობას შორის: $I_1/I_2=ac^b$ (a და b მუდმივებს განსაზღვრავენ ცდით) ანუ თანაფარდობას:

$$\lg(I_1/I_2)=b\lg c+\lg a.$$

სტანდ. ნიმუშების (არანაკლებ სამისა) მეშვეობით აგებენ ზომაჭდევის გრაფიკს [$\lg(I_2/I_2)$ დამოკიდებულება $\lg c$-ზე]. I_1 და I_2 ინტენსიურობებს უშუალოდ ზომავენ ფოტოელექტრული რეგისტრაციით ან ფოტომეტრირებით, რისთვისაც მიკროფოტომეტრებს იყენებენ.

ემისიური ასა-ის ძირითადი პროცესები: 1. გამოსაკვლევი ნივთიერების სინჯის შერჩევა; 2. სინჯის შეტანა გამოსხივების წყაროში, სადაც ხდება მყარი ან თხევადი სინჯის აორთქლება, ნაერთების დისოციაცია და ატომებისა და იონების აგზნება; 3. ატომებისა და იონების ნათების სპექტრად დაშლა და მისი რეგისტრაცია (ან ვიზუალური დაკვირვება) სპექტრული ხელსაწყოების დახმარებით; 4. მიღებული სპექტრების გაშიფვრა ელემენტთა სპექტრული ხაზების ცხრილებისა და ატლასების დახმარებით.

მიღებულ სპექტროგრამებს აკვირდებიან გამზომ მიკროსკოპებში, კომპარატორებსა და სპექტროპროექტორებში. თვისებრივი ანალიზისათვის საკმარისია დადგინდეს გამოსაკვლევი ელემენტის შესაბამისი სპექტრული ხაზების არსებობა ან არარსებობა. ვიზუალური დაკვირვებისას სპექტრული ხაზის სიკაშკაშის მიხედვით შეიძლება არაზუსტად შეფასდეს სინჯში ამა თუ იმ ელემენტის შემცველობა.

სპექტრის ასაგზნებად ასა-ის დროს იყენებენ სინათლის სხვადასხვა წყაროს (იხ. ნახ.) და შესაბამისად მათში ნიმუშის შეტანის სხვადასხვა ხერხს.

ატომურ-აბსორბციული ს. ა. (ააა) და ატომურ-ფლუორესცენციური ს. ა. (აფა). ამ მეთოდების გამოყენების დროს სინჯს გარდაქმნიან ორთქლად ატომიზატორში (ალში და სხვ.). ააა-ის დროს წყვეტილი გამოსხივების წყაროდან გამოსული სინათლე გაივლის ამ ორთქლში და შესუსტდება. განსასაზღვრავი ელემენტის ხაზების ინტენსიურობის შესუსტების ხარისხის მიხედვით განსაზღვრავენ სინჯში მის კონცენტრაციას. აფა-ის დროს სინჯის ატომურ ორთქლს დაასხივებენ რეზონანსული გამოსხივების წყაროს სინათლით და არეგისტრირებენ განსასაზღვრავი ელემენტის ფლუორესცენციას. ამ მეთოდით ზოგიერთი ელემენტის (Zn, Cd, Hg და სხვ.) აღმოჩენის ფარდობითი საზღვრები ძალიან მცირეა ($\sim 10^{-5}$—10^{-6} %).

მოლეკულური სპექტრული ანალიზი (მსა). მსა-ს საფუძვლად უძევს გამოსაკვლევი ნიმუშის სპექტრის თვისებრივი და რაოდენობრივი შედარება ინდივიდუალური ნივთიერების შესაბამის სპექტრთან. მსა-ის დროს იყენებენ სხვადასხვა სახის მოლეკულურ სპექტრებს: ბრუნვითის, რხევითსა და რხევით-ბრუნვითს; ელექტრონულ, ელექტრონულ-რხევითსა და ელექტრონულ-რხევით-ბრუნვითს. მსა საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში არსებული ნივთიერების მცირე რაოდენობის ანალიზი ჩავატაროთ.

თვისებრივი მსა ადგენს გამოსაკვლევი ნიმუშის მოლეკულურ შედგენილობას. მოლეკულის სპექტრი მისივე ცალსახა მახასიათებელია. ყველაზე უფრო ფართოდ იყენებენ თხევად და მყარ მდგომარეობაში არსებული ნივთიერების ინფრაწითელი შთანთქმისა და სკგ-ის სპექტრებს, აგრეთვე ხილულ და ულტრაიისფერ არეში შთანთქმის სპექტრებს. თვისებრივ ანალიზს არსებითად ამარტივებს და აჩქარებს ეგმ-ის გამოყენება.

რაოდენობრივი მსა შეიძლება ჩატარდეს შთანთქმის სპექტრების მიხედვითაც. ეს მეთოდი ეყრდნობა *ბუგერ—ლამბერტ—ბერის კანონს*. მსა-ს შთანთქმის სპექტრების მიხედვით უმეტესად ატარებენ სითხეებისა და ხსნარებისათვის. აირებისათვის ანალიზის ეს მეთოდი მნიშვნელოვნად გაჭირვებულია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსა-ს გამოსაკვლევი ხსნარების სპეც. გამხსნელებში, მაგ. პარაფინში, ჩაყინვის ტექ. გამოყენებით (შპოლსკის ეფექტი).

ლიტ.: Зайдель А. Н., Основы спектрального анализа, М., 1965; Чулановский В. М., Введение в молекулярный спектральный анализ, М.—Л., 1951.

სპექტრული მგრძნობიარობა, მიმღების რეაქციის დონის მახასიათებელი სიდიდის ფარდობა ამ რეაქციის გამომწვევი მონოქრომატული გამოსხივების ნაკადთან ან ენერგიასთან. განასხვავებენ აბსოლუტურ ს. მ-ს, რ-იც გამოისახება სახელდებული ერთეულებით (მაგ., *ა/ვტ*, თუ მიმღების რეაქცია ამპერობით იზომება) და უგანზომილებო ფარდობით ს. მ-ს, რ-იც გამოსხივების მოცემული ტალღისათვის არის ს. მ-ის ფარდობა მის მაქს. მნიშვნელობასთან ან ს. მ-თან რომელიმე სხვა ტალღის სიგრძის შემთხვევაში. თვალის ს. მ. იგივეა, რაც *სპექტრული სინათლოვანი ეფექტურობა*.

სპექტრული სერიები, ატომთა სპექტრებში სპექტრული ხაზების ჯგუფები, რ-ებიც გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილებიან. მოცემული ს. ს-ის ხაზები გამოსხივების სპექტრებში წარმოიქმნება ატომის ენერგიის სხვადასხვა ზედა ენერგეტ. დონიდან ერთსა და იმავე ძირითად ქვედა დონეზე ყველა დასაშვები კვანტური გადასვლის დროს (შთანთქმის სპექტრებში — შებრუნებული გადასვლების დროს). ს. ს-ის ხაზების ტალღური რიცხვები ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებებს და იკრიბება სერიის საზღვრისაკენ. უფრო მკვეთრად ს. ს. გამოიყოფა წყალბადისა და წყალბადის მსგავსი ატომების, ჰელიუმის, ტუტე ლითონების სპექტრულ ხაზებში (ლაიმანის, ბალმერის, პაშენის, ბრეკეტის, პფუნდისა და ჰამფრის სერიები H-თვის; მთავარი, დიფუზური და მკვეთრი სერიები ტუტე ლითონებისათვის). იხ. *ატომური სპექტრი*.

სპექტრული სიმკვრივე, ზედაპირის ფართობის ერთეულის მიერ სიხშირეთა (ტალღის სიგრძეთა) ერთეულ ინტერვალში გამოსხივებული სიმძლავრე: $\varepsilon_\nu = dФ/(dSd\nu)$ ან $\varepsilon_\lambda = dФ/(dSd\lambda)$; სადაც $dФ$ არის dS ფართობის მეშვეობით გამოსხივებული სიმძლავრე ν, $\nu+d\nu$ სიხშირეთა ინტერვალში (ან λ, $\lambda+d\lambda$ ტალღის სიგრძეთა ინტერვალში). $R_ე$ ენერგეტ. ნათობასთან დაკავშირებულია თანაფარდობით: $R_ე = \int_0^\infty \varepsilon_\nu d\nu = \int_0^\infty \varepsilon_\lambda d\lambda$.

ს. ს-ს ზოგჯერ გამოსხივების უნარს უწოდებენ.

სპექტრული სინათლოვანი ეფექტურობა, მონოქრომატული გამოსხივების სინათლის ნაკადის ფარდობა შესაბამის სრული გამოსხივების ნაკადთან. $K(\lambda)$ ს. ს. ე. მაქსიმალურ მნიშვნელობას $K_{მაქს}$ = =683 *ლმ·ვტ*$^{-1}$ აღწევს მაშინ, როცა λ = =555 *ნმ*. $K(\lambda)$ და ფარდობითი ს. ს. ე. $V(\lambda)=K(\lambda)/K_{მაქს}$ საფუძველად უდევს სინათლის ერთეულთა სისტემის აგებას.

სპექტრული ხაზები, *ოპტიკური სპექტრების* ვიწრო უბნები, რ-თაგან თითოეული შეიძლება დავახასიათოთ გარკვეული λ ტალღის სიგრძით (ან სიხშირით $\nu=c/\lambda$; c სინათლის სიჩქარეა). ს. ხ. შეინიშნება გამოსხივების სპექტრებში როგორც ნათელი (ფერადი) ხაზები ბნელ ფონზე, შთანთქმის სპექტრებში კი — როგორც ბნელი ხაზები ნათელ ფონზე. თითოეული ს. ხ. შეესაბამება გარკვეულ კვანტურ გადასვლას ატომში (მოლეკულაში, კრისტალში). ს. ხ. მკაცრად მონოქრომატული არ არის: თითოეული მათგანის სიგანეა $\Delta\lambda$.

სპექტრული ხელსაწყოები, ხელსაწყოები, რ-თა მეშვეობით ოპტიკურ დიაპაზონში (10^{-3}—10^3 *მკმ*) ელექტრომაგნიტური გამოსხივების ტალღის სიგრძეები მიხედვით იკვლევენ სპექტრულ შედგენილობას, ადგენენ გამომსხივებლის და გამოსხივებასთან ურთიერთქმედი ობიექტების სპექტრულ მახასიათებლებს და ატარებენ *სპექტრულ ანალიზს*. ს. ხ. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სპექტრომეტრიის მეთოდით, გამოსხივების მიმღებით, ტალღის სიგრძეთა გამოსაკვლევი (მუშა) დიაპაზონითა და სხვა მახასიათებლებით.


ლიტ.: Пейсахсон И. В., Оптика спектральных приборов, 2 изд., Л., 197 Тарасов К. И., Спектральные приборы, 2 изд., Л., 1977.

სპეცია (La Spezia), ქალაქი და ნა სადგური ჩრდ. იტალიაში, ლიგურიის ოლქში, ლიგურიის ზღვის სპეციის ყურის ნაპირზე. სპეციის პროვ. ადმ. ცენტრი. 117 ათ. მცხ. (1980). შავი და ფერად მეტალურგია, გემთმშენებლობა, ელექტროტექ., რადიოელექტრონული, ნავთობგადასამუშ., ქიმ., საფეიქრო, კვების, ხის დასამუშ. მრეწვ., საფეიქრო ფას.-სამ. მანქანების ქარხნების წარმოება. მუზეუმი. არქიტ. ძეგლები.

სპეციალიზებული დაწესებულებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები ეკონ., სოც. და სხვ. საკითხებზე რ-ებიც სპეც. შეთანხმებებითაა დაკავშირებული გაეროსთან. თითოეული ორგანიზაცია შექმნილია საერთაშ. ხელშეკრულების ძალით და დამოუკიდებელ, ა ტონ. დაწესებულებას წარმოადგენს. ურთიერთობა გაეროსა და ს. ს-თა შორის დადებული შეთანხმებები ითვალისწინებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების ურთიერთგაცვლას ს. ს-ის მიერ გაეროში წლიური მოხსენებებისა და ბიუჯეტის შესახებ ცნობების წარდგენას. გაეროს გენ. ასამბლეა ეკონ. და სოც. საბჭო უფლებამოსილი არიან მიიღონ რეკომენდაციები ს. ს-ი პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის თაობაზე გაეროსა და ს. ს-ს შორის მუდმივი კონტაქტის მიზნით ყველა ს. ს-ს ჰყავს ოფიც. წარმომადგენელი გაეროს შტაბ-ბინაში (ნიუ-იორკი) და მის ორგანოებსა სხვა ადგილსამყოფელში (ჟენევა, ვენა 1983 წ. 1 იანვ-თვის გაეროს ს. ს-ი *შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია* გაეროს სასურსათო და სოფ. მეურნ. ორგანიზაცია, გაერთ. ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნ. და კულტ. საკითხებზე (*იუნესკო*), ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. სამოქალაქო ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია, *მსოფლიო საფოსტო კავშირი*, ელექტრონკავშირის გაბმულობის საერთაშ. კავშირი, მსოფლიო მეტეოროლ. ორგანიზაცია, საერთაშ. საზღვ. ორგანიზაცია, *რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი*, განვითარების საერთაშ. ასოციაცია, საერთაშ. საფინანსო კორპორაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშ. ფონდი, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.

ლიტ.: Шибаева Е. А., Специализированные учреждения ООН, М., 1966.

ლ. ალექსიძე



სპექტრული ხელსაწყოები. იმისდა მიხედვით, თუ როგორია მადისპერსირებელი ელემენტი (პრიზმა, დიფრაქციული მესერი, ინტერფერენციული ხელსაწყო) განასხვავებენ სპექტრული ხელსაწყოების სამ ძირითად ტიპს: პრიზმულს, დიფრაქციულსა და ინტერფერენციულს. ნახაზზე მოცემულია სპექტრული ხელსაწყოს პრინციპული ოპტიკური სქემა (ამ ხელსაწყოსთვის დამახასიათებელია ტალღის სიგრძეთა სივრცული გაყოფა კუთხური დისპერსიის მეშვეობით): 1—კოლიმატორი გამოსასვლელი ხვრელითურთ და O_1 ობიექტივითურთ, რომლის ფოკუსური მანძილია f_1; 2—$\Delta\varphi/\Delta\lambda$ კუთხური დისპერსიის მქონე მადისპერსირებელი ელემენტი; 3—მაფოკუსებელი სისტემა (კამერა) O_2 ობიექტივითურთ (f_2 მისი ფოკუსური მანძილია), რომელიც ფოკალურ F სიბრტყეში $\Delta x/\Delta\lambda$ წრფივი დისპერსიის მქონე სხვადასხვა ტალღის სიგრძის სხივებით F ფოკალურ სიბრტყეში ქმნის შესასვლელი ხვრელის გამოსახულებას. თუ F სიბრტყეში დაფენებულია ერთი გამოსასვლელი ხვრელი, მაშინ ხელსაწყოს მონოქრომატორს უწოდებენ, თუ რამდენიმე—პოლიქრომატორს, თუ ფოტომგრძნობიარე შრე (ან თვალი) — სპექტროგრაფს (ან სპექტროსკოპს).

სპეციალიზებული ვაჭრობა, ვაჭრობა განსაზღვრული საქონლით, რ-იც აკმაყოფილებს მოთხოვნილებათა კომპლექსს (მაგ., სპორტული საქონელი) ან ერთგვაროვანი საქონლის ჯგუფით (პურ-ფუნთუშეული და მათი ნაწარმი, ხორცის, თევზის, რძის პროდუქტები. ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ.). სსრკ-ში ს. შ-ს ახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების სპეციალიზებული კანტორები და ბაზები, ადგილ. სავაჭრო ორგანიზაციების სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი და სხვ. იხ. აგრეთვე სტ. *ვაჭრობა.*

სპეციალობა (<ლათ. specialis—განსაკუთრებული), სპეციფიკური მომზადებისა და სამუშაო გამოცდილების შედეგად შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპლექსი, რ-იც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიის ფარგლებში საქმიანობისათვის. სპეციალიზაცია შრომის დანაწილების ერთ-ერთი სახეა. სსრკ-ში უმაღლესი განათლებისა და საშ. სპეც. განათლების სისტემაში ს-ს უწოდებენ სხვადასხვა დარგობრივი განხრით მომზადების საორგანიზაციო ფორმას. 1984 სსრკ უმაღლეს სასწავლებლებში იყო 350-ზე მეტი ს., გაერთიანებული 22 ჯგუფად. საშ. სპეც. სასწავლებლებში იყო დაახლ. 500 ს. (უფრო ვიწრო სპეციალიზაციით, ვიდრე უმაღლეს სასწავლებლებში და იმავე ჯგუფებში გაერთიანებული), პროფტექ. განათლების სისტემაში ს-ის ნაცვლად მიღებულია სახელწოდება — მუშური პროფესია. 1984 არსებობდა 1,1 ათ-ზე მეტი ასეთი პროფესია, გაერთიანებული 9 პროფ. მიმართულებად.

სპეციალური განათლება, მოიცავს პროფესიული განათლების ყველა სახეს, *როგორიცაა პროფესიულ-ტექნიკური განათლება, საშუალო სპეციალური განათლება,* ყველა სახის უმაღლესი განათლება. იხ. აგრეთვე სტატია *პროფესიული განათლება* და სტატიები განათლების ცალკეული დარგების შესახებ. მაგ., *არქიტექტურული განათლება, პედაგოგიური განათლება, სასოფლო-სამეურნეო განათლება, სამედიცინო განათლება* და სხვ.

სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სსრ კავშირში, 1964-იდან მცირეწლოვანი დამწაშავეების (14 წელზე უფროსი ასაკის) აღსაზრდელი და გამოსასწორებელი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები. აქვე აგზავნიან მოზარდებს, რ-თა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის შეიძლება სისხლის სამართლ. სასჯელის შეცვლა ზემოქმედების სხვა ზომებით. ს. პ.-ტ. ს-ში აღსაზრდელები 3 წელს იმყოფებიან, იღებენ სპეციალობას და პროფტექ. განათლებას, აქვთ უფლება საერთო განათლების გაგრძელებისა, მათზე ვრცელდება კანონმდებლობა არასრულწლოვანთა შრომის შესახებ.

ს. პ.-ტ. ს-ს შეფობას უწევს სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოს კოლექტივები. ზედამხედველობა ამ სასწავლებელთა საქმიანობაში კანონთა შესრულებაზე პროკურატურის ორგანოებს აკისრია.

სპეციალური რუკები, კონკრეტული დანიშნულების განსაკუთრებული ხასიათის გეოგრაფიული რუკები. მაგ., სანავიგაციო, ტურისტული, სასწავლო და ა. შ.

სპეციალური სკოლები სსრ კავშირში, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები მცირეწლოვანი დამნაშავეების (11—14 წლის ასაკის) აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. დაარსდა 1964. ს. ს-ში ბავშვებს აგზავნის *არასრულწლოვანთა საქმეების კომისია.* ს. ს. ეწვევიან განათლების ორგანოებს. სწავლება მიმდინარეობს საერთო სასწ. პროგრამით, რ-თანაც შეზამებულია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. თუ 14—15 წლის ასაკის აღსაზრდელი აქ არ გამოსწორდება, მაშინ მას აგზავნიან *სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.*

სპეციალური ფოლადი, ფოლადი, რ-საც იყენებენ სპეციალური სახეობის ნაკეთობების ან დეტალების დასამზადებლად. ს. ფ. შეიძლება იყოს ნახშირბადოვანი ან ლეგირებული. ანალოგიური შედგენილობის ფოლადებისაგან ს. ფ. განსხვავება განსაკუთრებული სიწმინდით და სპეც. თვისებებით.

სპეციალური ფუნქციები (მათ.), სხვადასხვა სპეციალური კლასის ფუნქციები, რ-ებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება *მათემატიკური ფიზიკის* ამოცანების ამოხსნისას. ძირითადი ს. ფ. ცვლადკოეფიციენტებიანი მეორე რიგის წრფივი დიფერენც. განტოლებების ამონახსნებია. უმნიშვნელოვანესი სპეც. ფუნქციებია *სფერული ფუნქციები, ცილინდრული ფუნქციები,* ბურთისებრი ფუნქციები, ლამეს ფუნქციები, მატიეს ფუნქციები, ჰიპერგეომეტრიული ფუნქციები და ა. შ.; ზოგჯერ ს. ფ-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე *ტრანსცენდენტურ ფუნქციებს,* რ-ებიც არ გამოისახებიან *ელემენტარული ფუნქციების* საშუალებით. ასეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია: *გამა-ფუნქციები, ელიფსური ფუნქციები, ბეტა-ფუნქციები,* ინტეგრალური ლოგარითმი, ალბათობის ინტეგრალი და სხვ.

სპეციალური ჯარები, ქვეგანაყოფები და ნაწილები, რ-ებიც ბრძოლაში (ოპერაციაში) სპეციალურ ამოცანებს ასრულებენ (მაგ., კავშირი, საინჟინრო უზრუნველყოფა და სხვ.) და სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ. სსრკ შეიარაღებულ ძალებში ს. ჯ-ს განეკუთვნება: საინჟინრო ჯარები, კავშირგაბმ. ჯარები, ქიმიური ჯარები, რადიოტექ. ჯარები, საავტ. ჯარები და სხვ. ანალოგიური ჯარებია აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში.

სპეციფიკა (ლათ. specificus — თავისებური, განსაკუთრებული), მოვლენის, საგნის დამახასიათებელი, სხვებისაგან განმასხვავებელი თავისებურებანი.

სპეციფიკაცია (გვიანდ. ლათ. specificatio<ლათ. species—სახეობა, სახესხვაობა და facio — ვაკეთებ), 1. რისამე სპეციფიკური თავისებურებების განსაზღვრა და ჩამოთვლა. დაზუსტებული კლასიფიკაცია ამ თავისებურებათა მიხედვით. 2. *ტექნიკური დოკუმენტაციის* სისტემის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი. საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთიან სისტემაში, რ-იც მიღებულია სსრკ-ში, ს. განსაზღვრავს საამწყობო ერთეულის, კომპლექსის ან კომპლექტის შედგენილობას. ს-ში ჩამოთვლილია რთული ნაკეთობის შემადგენელი ნაწილები და საკონსტრუქტორო დოკუმენტები, ს-ის განყ-ბებში კი — დოკუმენტაციის შედგენილობა, ნაკეთობაში შემავალი კომპლექსები, საამწყობო ერთეულები, დეტალები, სტანდ. და არასტანდ. ნაკეთობანი, მასალები, კომპლექტები. ზოგჯერ დასაშვებია ს-ის შეთავსება საამწყობო ნახაზთან. ტექნოლოგიური დოკუმენტაციის ერთიან სისტემაში ს-ს ადგენენ ყოველი ნაკეთობისათვის. ასეთ ს-ში დასახელებულია ნაკეთობა, მისი საამწყობო ერთეულები, დეტალები, მასალები. სსრკ-ში ს-ის შესრულების წესებს ადგენს *სახელმწიფო სტანდარტი.*

სპიდომეტრი (ინგლ. speed — სიჩქარე და ...*მეტრი*), ავტომობილის მოძრაობის სიჩქარისა (*კმ/სთ*) და მის მიერ გავლილი მანძილის (*კმ*) საზომი ხელსაწყო.

სპიკა, α ქალწულისა, პირველი ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდის* ვარსკვლავი *ქალწულის თანავარსკვლავედში.* მზიდან 50 *პს* მანძილზეა. ნათობით 740-ჯერ ჭარბობს მზეს.

სპიკატო (იტალ. spiccato<spiccare—მოწყვეტა, გამოყოფა), მოწყვეტილი შტრიხი, სიმებიან-ხემიან საკრავებზე შესრულების ერთ-ერთი ხერხი.

სპიკერი (speaker, სიტყვასიტყვით — ორატორი), ქვედა პალატის (ან ერთპალატიანი პარლამენტის) თავ-რე ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის პარლამენტში. ს-ის თანამდებობა პირველად დაწესდა ინგლისში (1377), შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც. მაგ., ავსტრალიაში, კანადაში, ახ. ზელანდიაში, ინდოეთში. ს. ხელმძღვანელობს პარლამენტში კამათს, აბსნა-განმარტებას აძლევს სხვადასხვა საპროცედურო წესს და სხვ.

სპილენძა (Coronella austriaca), გველი *ანკარასებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 80 *სმ.* ფერად მურა ან მოწითალოა, ზურგზე შავი წინწკლები აწყრია. გავრცელებულია ევროპასა და დას. აზიაში; სსრკ-ში — ევრ. ნაწილში და დას. ყაზახეთში. საქართველოში გვხვდება მთისწინებში, ტყის სუბალპ. და ალპ. ზონაში. შედარებით მშრალი ადგილების ბინადარია. იმალება სოროებში, ქვებისა და კუნძების ქვეშ. იკვებება ძირითადად ხვლიკებით, აგრეთვე მღრღნელებითა და მწერებით. დიდტანიან მსხვერპლს სხეულის რგოლებით გუდავს. კვერცხცოცხლადმშობია. შრობს 2—15 ნაშიერს.

თ. მუსხელიშვილი.

სპილენძი (Cuprum), Cu, ელემენტთა პერიოდული სისტემის I ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 29, ატ. მასა 63,546, სიმკვრივე 8960 *კგ/მ*^{3}, $t_{დნ}$ 1083°C, $t_{დუღ}$ 2600°C; რბილი, ჭედადი მოწითალო ფერის ლითონი. ბუნებრივი ს. შედგება ორი სტაბილური იზოტოპისაგან: ^{63}Cu (69,1%) და ^{65}Cu (30,9%). ს-ს კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს. ს-მა და მისმა შენადნობებმა დიდი როლი შეასრულეს კაცობრიობის კულტურის განვითარებაში (იხ. *ბრინჯაოს ხანა*). მისი ლათ. სახელწოდება წარმოდგება კ. კვიპროსიდან, სადაც ძვ. ბერძნები მოიპოვებდნენ ს-ის მადანს. დედამიწის ქერქში ს-ის საშ. შემცველობა მასის მიხედვით 4,7 . 10^{-3}% ს. ენერგიულად განიცდის მიგრაციას როგორც დედამიწის სიღრმის ცხელ წყლებში, ასევე ბიოსფეროს ცივ ხსნარებში. ს. წარმოქმნის მრავალ მინერალს: სულფიდებს, ფოსფატებს, სულფატებს, ქლორიდებს, კარბონატებს, ჟანგეულებს. ქიმ. თვისებებით ს-ს საშუალედო ადგილი უკავია პერიოდული სისტემის VIII ჯგ. პირველ ტრიადასა და ტუტე ლითონებს შორის. Fe, Co, Ni-ის მსგავსად ს-ს კომპლექსნაერთების წარმოქმნის უნარი აქვს. იძლევა შეფერილ ნაერთებს, წყალში უხსნარ სულფიდებს და სხვ. ტუტე ლითონებს ნაკლებად ემსგავსება. იგი წარმოქმნის ერთვალენტოვან ნაერთებს, მაგრამ მისთვის უფრო დამახასიათებელია ორვალენტოვანი მდგომარეობა. ჰიდრატირებული Cu^{2+}-ის იონები ცისფერია. ცნობილია ს-ის სამვალენტოვანი ნაერთებიც, მაგ., Cu_2O_3 (ძლიერი მჟანგავია). ს-ის ქიმ. აქტიურობა დაბალია. იგი 185°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე მშრალ ჰაერსა და ჟანგბადთან არ რეაგირებს, ნესტიან და CO_2-ის გარემოში ს-ის ზედაპირი მწვანდება ფუძე კარბონატის წარმოქმნის გამო. ჰაერზე გაცხელებისას ლითონური ს-ის ზედაპირზე მიმდინარეობს ჟანგვა; 375°C-მდე გაცხელებისას წარმოიქმნება CuO, ხოლო 375°C-იდან — 1100°C ინტერვალში გაცხელების შედეგად — ხუნჯი, რ-ის ზედა ფენა შეიცავს CuO-ს, ქვედა — Cu_2O-ს. ნესტიანი ქლორი ს-თან ოთახის ტემპ-რაზე მოქმედებს და წარმოქმნის წყალში კარგად ხსნად ს-ის ქლორიდს $CuCl_2$. ს. სხვა ჰალოგენებთანაც ადვილად რეაგირებს, განსაკუთრებულ აქტივობას ამჟღავნებს გოგირდისა და სელენისადმი. წყალბადთან, ნახშირბადსა და აზოტთან პრაქტიკულად არ რეაგირებს. ს-ის კარბიდები (Cu_2C_2 და CuC_2) მი-

საალენძის სამრეწველო მინერალები

თვითნაბადი სპილენძი—Cu
ბორნიტი—Cu_5FeS_4
ქალკოპირიტი—$CuFeS_2$
ქალკოზინი—Cu_2S
კოველინი—CuS
ბურნონიტი—$CuPbSbS_3$
ტეტრაედრიტი—$Cu_{12}Sb_4S_{13}$
ტენანტიტი—$Cu_{12}As_4S_{13}$
ენარგიტი—Cu_3AsS_4
კუპრიტი—Cu_2O
ტენორიტი—CuO
მალაქიტი—$Cu_2[CO_3](OH)_2$
აზურიტი—$Cu_3[CO_3]_2(OH)_2$
ქრიზოკოლა—$CuSiO_3 \cdot nH_2O$
ბროშანტიტი—$Cu_4[SO_4](OH)_6$
ქალკანტიტი—$CuSO_4 \cdot 5H_2O$
ატაკამიტი—$Cu Cl_2 \cdot 3Cu(OH)_2$

იღება მისი მარილების ამიაკურ ხსნარებში აცეტილენის გატარებით. გავარვარებულ ს-ზე NH_3-ის გატარებისას წარმოიქმნება ს-ის ნიტრიდი Cu_3N. მაღალ ტემპ-რაზე ს. ურთიერთქმედებს აზოტის უანგბულებთან და წარმოქმნის ოქსიდებს: Cu_2O და CuO. ს. იხსნება აზოტმჟავაში და წარმოქმნის $Cu(NO_3)_2$ და აზოტის ოქსიდებს; ცხელ კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში გახსნისას წარმოქმნის $CuSO_4$ და SO_2. ს. წარმოქმნის აგრეთვე მრავალრიცხოვან მდგრად კომპლექსნაერთს. სამრეწვ. მნიშვნელობისაა ს-ის ამიაკური კომპლექსნაერთი $[Cu(NH_3)_4]SO_4$. ს-ის ყველა მარილი მომწამვლელია.

ს-ის 80%-ს ღებულობენ გამდიდრებული სულფიდური მადნებისაგან პირომეტალ. და ჰიდრომეტალ. მეთოდებით. მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობის, პლასტიკურობისა და კოროზიული მედეგობის გამო მთელი ს-ის 50%-ზე მეტს იყენებენ ელექტროტექ. მრეწველობაში (სადენების ძირითადი მასალაა), აგრეთვე ქიმ. აპარატურის, თბოგადამცემების, მაცივრების, ვაკუუმური აპარატების დეტალების დასამზადებლად და სხვ. ს-ის 30%-ზე მეტს იყენებენ *სპილენძის შენადნობების* სახით. ს-ს, როგორც სამხატვრო მასალას (მრთულობანი, ქანდაკება, ჭურჭელი, საჭურველი), იყენებენ *ენეოლითიდან*. ნაჭედ და ჩამოსხმულ ს-ს ამუშავებენ ჭედვით, გრავირებით. ს. ადვილად დასამუშ. მასალაა. XV ს-იდან იყენებენ საბეჭდი ფორმისათვის.

ლიტ.: Некрасов Б. В., Основы общей химии, 3 изд., т. 1—2, М., 1973—74.

სპილენძიანი სასუქი, იხ. სტ. *მიკროსასუქი*.

სპილენძის განძების კულტურა, აღმ. ინდოეთში გავრცელებული ენეოლითური ხანის არქეოლოგიური კულტურის პირობითი სახელწოდება; ზოგჯერ ყვითელი კერამიკის კულტურასაც უწოდებენ. ამ კულტ. სპილენძის იარაღი აღმოჩნდა XIX ს-ში. არქეოლ. გათხრები ჩატარდა XX ს. 60—70-იან წლებში. აღმოჩნდა ცულები, წაგრძელებული სატეხები, ჰარპუნები, წვრილი მახვილები, ანთროპომორფული ფიგურები და სხვ. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, აგრეთვე ნადირობას და თევზჭერას. ამ კულტ. შემქმნელებად მეცნიერები მიიჩნევენ ადგილ. მოსახლეობას, არიელებს, მუნდების წინაპრებსაც. ჰასტინაპურის გათხრებით დადგინდა, რომ ს. ბ. კ-ის ბოლო ეტაპი ძვ. წ. XII—XI სს. განეკუთვნება.

ლიტ.: Бонгард-Левин Г. М., Деопик Д. В., К проблеме происхождения народов мунда, «Советская этнография», 1957, № 1; Бонгард-Левин Г. М., Ильин Г. Ф., Древняя Индия, М., 1969.

სპილენძის კარბონატები, სპილენძის ნახშირმჟავა მარილები. საშუალო (ნორმალური) ს. კ. არ არის მიღებული. ბუნებაში გვხვდება მინერალების — *მალაქიტისა* და *აზურიტის* სახით. ს. კ. წყალში უხსნარია. ნატრიუმკარბონატისა და სპილენძის სულფატის ურთიერთქმედებით წყალხსნარში ღებულობენ სპილენძის ფუძე კარბონატს $CuCO_3 \cdot Cu(OH)_2 \cdot 0{,}5\,H_2O$, რ-იც გახურებისას გარდაიქმნება მალაქიტად. აზურიტს იყენებენ პიგმენტად, აგრეთვე პიროტექნიკაში, მეტალურგიაში და სხვ., აზურიტსა და მალაქიტს საიუველირო ნაკეთობებისათვის.

სპილენძის მადნები, ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნები, რ-ებიც სპილენძს ისეთი ნაერთების სახითა და რაოდენობით შეიცავს, რომ მათგან ლითონის ამოღება ეკონომიკურად მიზანშეწონილია. სპილენძის მრავალ ბუნებრივ ნაერთთაგან სამრეწვ. მინერალებს განეკუთვნება 17 მინერალი (იხ. ცხრ.). მინერ. შედგენილობის მიხედვით განარჩევენ სულფიდურ და შერეული ტიპის ს. მ-ს. ამათაგან მთავარი სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს პირველს. ს. მ., როგორც წესი, კომპლ. მადნებია — არამადნეული მინერალებთან (კვარცი, სერიციტი, ბარიტი და სხვ.) ერთად შეიცავს პირიტს, პიროტინს, Pb-ის, Zn-ის, Ni-ის, Co-ის, Mo-ის და სხვ. სულფიდებს, აგრეთვე გაფანტული ელემენტების (Cd, Se, Te, Ga, Te, Ge, In, Re და სხვ.) მინარევებს. წარმოქმნის პირობების, მადნეული სხეულების მორფოლოგიისა და შედგენილობის მიხედვით ს. მ-ში გამოყოფენ რამდენიმე სამრეწვ. ტიპს. ს. მ-ის უდიდესი საბადოებია: სსრკ-ში [კუნღირათის, ალმალიქის, ქავჯარანის, შუა და სამხრ. ურალის, ჯეზყაზღანის, უდოკანის, ნორილსკის, კოლის ნ.-კ-ის და სხვ. საქართველოში — *მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთიის საბადო*, მერისის სპილენძ-ტყვია-თუთიის ძარღველი ტიპის მადანგამოვლინებანი (ქედის რ-ნი) და კავკასიონის სამხრ. (ფერდის [მთიანი აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, ხევი და მთიანი კახეთი) სპილენძ-პიროტინული გამადნება]; საზღვარგარეთ — ბულგარეთში, უნგრეთში, ესპანეთში, იუგოსლავიაში, თურქეთში, აშშ-ში, კანადაში, ჩილეში, ზამბიაში, ზაირში და სხვ.

სპილენძის მრეწველობა, იხ. სტ. *ფერადი მეტალურგია*.

სპილენძის ნიტრატი, აზოტმჟავა სპილენძი, $Cu(NO_3)_2$, თეთრი (ოდნავ მომწვანო) კრისტალები. გახურებისას იშლება CuO, NO_2 და O_2. წყალხსნარებიდან უფრო ხშირად ს. ნ. გამოიყოფა $Cu(NO_3)_2 \cdot 6H_2O$ სახით. იგი ლურჯი ფერისაა, სიმკვრივე 2070 *კგ/მ*^{3}. ჩვეულებრივ ტემპ-რაზე შედარებით მდგრადია $Cu(NO_3)_2 \cdot 3H_2O$—მუქი ცისფერი კრისტალები. ს. ნ. წყალსა და სპირტში ადვილად იხსნება. იყენებენ საღებავების დასამზადებლად. ერთვალენტოვანი სპილენძის ნიტრატი არსებობს მხოლოდ ხსნარებში.

სპილენძის ჟანგეულები, სპილენძის ნაერთები ჟანგბადთან: სპილენძის ქვეჟანგი Cu_2O, სპილენძის ჟანგი CuO, Cu_2O_3, ზეჟანგი $CuO_2 \cdot Cu_2O_3$ არამდგრადია. CuO გვხვდება ბუნებაში შავი ფერის მინერალ ტენორიტის სახით; CuO არამდგრადია, კარგად იხსნება მჟავებსა და ციანიდების ხსნარებში. სპილენძის ჟანგს იყენებენ მინისა და მინანქრის წარმოებაში მწვანე და ცისფერ საღებრად და სხვ. სპილენძის ქვეჟანგი Cu_2O წარმოქმნის მინერალ კუპრიტს ($t_{დ}$ 1230°C); იხსნება განზავებულ H_2SO_4-ში ჟანგბადის თანაობისას. იყენებენ ინსექტიციდად და სხვ.

სპილენძის სულფატი, გოგირდმჟავა სპილენძი, $CuSO_4$, უფერული კრისტალები, სიმკვრივე 3640 *კგ/მ*^{3}; გახურებისას იშლება. კარგად იხსნება წყალში. წყალხსნარიდან დაკრისტალდება $CuSO_4 \cdot 5H_2O$ სახით *შაბიამანი*. ბუნებაში ს. ს. გვხვდება მინერალ ქალკანტიტის სახით. ღებულობენ გაცხელებულ გოგირდმჟავაში Cu ან CuO გახსნით. ს. ს-ს იყენებენ მინერალური საღებავების მისაღებად, სოფ. მეურნეობაში (შაბიამანს) მავნებელთა წინააღმდეგ, მცენარეთა დაავადებებისათვის, მარცვლეულის შესაწამლავად, ტყავის გამოსაყვანად, გალვანურ ელემენტებში.

სპილენძის სულფიდები, სპილენძის ნაერთები გოგირდთან: Cu_2S და CuS. ბუნებაში Cu_2S გვხვდება მინერალ ქალკოზინის სახით, სიმკვრივე 5500—5800 *კგ/მ*^{3}, წყალში უხსნარია. CuS წარმოქმნის მინერალ კოველინს, რ-ის სიმკვრივეა 4680 *კგ/მ*^{3}, გახურებისას იშლება, ადვილად იჟანგება. კოველინი სპილენძის მიღების ნედლეულია.

„სპილენძისძალაქიანი“, ქართული საზღაპრო-სათავგადასავლო თხზულება, რ-შიც მოთხრობილია სოლომონ მეფის მიერ შექმნილი სპილენძის ქალაქის ამბავი. მას საფუძვლად უდევს „ათას ერთი ღამის“ მოთხრობა „ამბავი სპილენძის ქალაქისა“. XVIII ს-ში არსებულა „ს-ის“ პროზაული რედაქცია, რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია; ის გაულექსავს უცნობ ქართვ. ავტორს იმავე საუკუნის II ნახევარში (ხელნაწ. S-101). არსებობს „ს-ის“ მეორე პროზაული რედაქციაც, რ-იც სომხურიდან უნდა იყოს გადმოკეთებული. მისი ხალხ. ვარიანტია პოემა „სოლომონ ბრძენი და კუნძულელი“.

ლიტ.: კეკელიძე გ. ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; Ахаванов А., Очерки по истории грузинской словесности, в. 3, М., 1901.

ი. ლოლაშვილი.

სპილენძის შენადნობები, სპილენძის ფუძეზე დამზადებული შენადნობები. ს. შ. ადამიანის მიერ შექმნილი პირველი შენადნობებია. მრავალ ელემენტთან Cu წარმოქმნის ჩანაცვლების მყარ ხსნარებს, რ-თა წახნაგდაცენტრებულ კუბურ გისოსში დანამატების ატომები იკავებს Cu-ის ატომთა ადგილს. სპილენძი მყარ მდგომარეობაში ხსნის 39%-მდე Zn, 15,8%Sn, 9,4% Al, ხოლო Ni-ს — განუსაზღვრელი რაოდენობით. Cu-ის ფუძეზე მყარი ხსნარის წარმოქმნისას იზრდება მისი სიმტკიცე და ელექტროწინაღობა, მცირდება ელექტროწინაღობის ტემპ-რული კოეფიციენტი, შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს კოროზიული მედეგობა და სხვ. ს. შ-ს ღებულობენ Cu-ის მალეგირებელ ელემენტებთან ან ლიგატურებთან შედნობით. განჟანგვისათვის ნადნობში მცირე რაოდენობით (%-ის მეათედები) შეაქვთ ფოსფორი. ს. შ. არის დეფორმირებადი და სარსმელო. დეფორმირებადისაგან ჩამოასხამენ მრგვალ ან ბრტყელ სხმულებს, რ-ებსაც ცივ ან ცხელ მდგომარეობაში წნევით (გლინვა, ადიდვა) ამუშავებენ. სამსხმელო ს. შ-ს ახასიათებს კარგი სამსხმელო თვისებები. ღებულობენ მოყვანილ დეტალებს, აგრეთვე დეკორ-.გამოყენებითს ნაკეთობებს, ქანდაკებებს.

ს. შ-ის მექან. თვისებები ფართო ზღვრებში იცვლება ცივ მდგომარეობაში წნევით დამუშავებისა და მოწვის დროს. ცივად დეფორმაციისას 1,5—3-ჯერ იზრდება ს. შ-ის სისალე და სიმტკიცის ზღვარი. ამავე დროს მცირდება მათი პლასტიკურობა. შემდგომი რეკრისტალიზაციური მოწვით შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად აღდგეს საწყისი თვისებები. წნევით ცივად დამუშავების შემდეგ ს. შ-ის დასარბილებლად მათ მოწვავენ 600—700°C ტემპ-რაზე. ს. შ-ის უმრავლესობას არც აწრთობენ და არც აძველებენ, რადგან ასეთი დამუშავება შეუძლებელია (თუ შენადნობი ყველა ტემპ-რაზე ერთფაზიანია) ან განმტკიცების სიდიდე ძალიან მცირეა. თერმულად განმტკიცებადი ს. შ-ის მისაღებად იყენებენ ისეთ მალეგირებელ ელემენტებს, რ-ებიც სპილენძთან ან ერთმანეთთან წარმოქმნიან ლითონთშორის ნაერთებს (მაგ. CuBe, NiBe, Ni_3Al), რ-თა ხსნადობა სპილენძის ბაზაზე შექმნილ მყარ ხსნარში ტემპ-რის დაწევასთან ერთად მცირდება. ასეთი შენადნობების წრთობისას წარმოიქმნება გადამეტნაჯერი მყარი ხსნარი, რ-ის ხელოვნური დაძველებისას გამოიყოფა ს. შ-ის განმამტკიცებელი დისპერსიული ლითონთშორისი ნაერთები.

ს. შ-ის ძირითადი სახეობებია: *თითბერი, ბრინჯაო* და *სპილენძ-ნიკელის შენადნობები*. თითბერში ძირითადი დანამატია Zn, ბრინჯაოში — ნებისმიერი ელემენტი (Zn-ისა და Ni-ის გარდა). სსრკ-ში გამოშვებული ს. შ-ის სამრეწვ. მარკებში შენადნობს აღნიშნავენ მისი სახელწოდების პირველი ასოთი მაგ., Л (თითბერი), Бр (ბრინჯაო) და М (სპილენძ-ნიკელის შენადნობები). მალე-

გირებელ ელემენტებს აღნიშნავენ შემდეგი ასოებით: А — ალუმინი, Н — ნიკელი, О — კალა, Ц — თუთია, С — ტყვია, Ж — რკინა, Мц — მანგანუმი, К — სილიციუმი, Ф — ფოსფორი, Т — ტიტანი. მარტივი (ორმაგი) თითბრის მარკაში ციფრებით აღინიშნება სპილენძის საშ. შემცველობა. მაგ., თითბერი Л90 (შეიცავს 90% Cu და 10%Zn). მრავალკომპონენტიან თითბრის მარკაში პირველი ციფრებით აღნიშნავენ Cu-ის საშ. შემცველობას, ხოლო შემდეგი ციფრებით— მალეგირებელი ელემენტებისას. მაგ., თითბერი ЛАН 59-3-2 (შეიცავს 59%Cu, 3%Al და 2%Ni დანარჩენი Zn-ია). ბრინჯაოსა და სპილენძ-ნიკლის შენადნობებში ასოები და მათი შესაბამისი ციფრებით აღინიშნება მალეგირებელი ელემენტების შემცველობა. მაგ., ბრინჯაო БрАЖМц10-3-1,5 (შეიცავს 10% Al, 3%Fe და 1,5%Mn). მარკის ბოლოში ასო Л-ით მინიშნებულია, რომ შენადნობი განკუთვნილია მოყვანილი სხმულებისათვის (მაგ., ЛК80-3Л). რკინის შენადნობებთან შედარებით ს. შ. უფრო კოროზიამედეგია. ოთახის ტემპ-რაზე ჟანგბადი არ მოქმედებს ს. შ-ზე, ნახშირჟანგი მათთან რეაქციაში არ შედის. მშრალი ან ტენიანი გაჭუჭყიანებული ორთქლი ბრინჯაოზე სუსტად მოქმედებს. გოგირდწყალბადი ტენიანობის, განსაკუთრებით კი მაღალი ტემპ-რის დროს იწვევს მათ კოროზიას. აზოტმჟავა და მარილმჟავა თითბერსა და კალიან ბრინჯაოზე ძალიან ძლიერად მოქმედებს, გოგირდმჟავა კი გაცილებით სუსტად.

ს.შ-ს ხმარობენ საკონსტრუქციო, სახამბარე, ანტიფრიქციულ და კოროზიამედეგ მასალად, მაღალი ელექტრო- და თბოგამტარობის, მაღალი ელექტროწინაღობისა და ელექტროწინაღობის დაბალი თერმული კოეფიციენტის მქონე შენადნობებად და სხვ. ს. შ-ს იყენებენ ზოგად მანქანათმშენებლობაში, ავიამშენებლობაში, ავტო- და გემთმშენებლობაში, რკინიგზის ტრანსპორტზე, ელექტროტექ. მრეწველობაში, ახ. ტექ. დარგებში და სხვ.

ლიტ.: Гуляев А. П., Металловедение, 5 изд., М., 1977; Неорганическое материаловедение в СССР, К., 1983.

სპილენძის ხანა, იხ. *ენეოლითი.*

სპილენძის პალოგენიდები, სპილენძის ნაერთები პალოგენებთან: CuX და CuX_2 (სადაც X—F, Cl, Br და I). ს. ჰიდან $CuCl_2$-ს იყენებენ როგორც ფერმჭერს ღებვისას, კატალიზატორად, CuCl-ს (tდნ 450°C, tდუღ 1212°C) კი—ფხვნილისებური Cu მისაღებად, ორგ. სინთეზში კატალიზატორად და სხვ.

სპილენძ-ნიკლის შენადნობები, სპილენძის ფუძეზე დამზადებული მოვერცხლისფრო შენადნობები, რ-ებიც ძირითად მალეგირებელ ელემენტად ნიკელს შეიცავენ. ნიკელი სპილენძთან ერთად წარმოქმნის მყარი ხსნარების უწყვეტ მწკრივს; სპილენძში Ni დამატებისას იზრდება სპილენძის სიმტკიცე და ელექტროწინაღობა, მცირდება ელექტროწინაღობის ტემპ-რული კოეფიციენტი, ძალიან იზრდება კოროზიამედეგობა. ს.-ნ. შ. კარგად მუშავდება წნევით როგორც ცივ, ისე ცხელ მდგომარეობაში. მათგან ამზადებენ ფურცლებს, ლენტებს, მილებს, მავთულს, წნელს და სხვ. განასხვავებენ საკონსტრუქციო და ელექტროტექნიკურ ს.-ნ. შ-ს. საკონსტრუქციო შენადნობებია *მცლქიორი* და ნიკლიანი თითბერი — ნეიზილბერი. ელექტროტექ. ს.-ნ. შ-ს აქვს მაღალი ელექტროწინაღობა და სხვა ლითონთან წყვილში მაღალი თერმოელექტრომამოძრავებელი ძალა. მათ იყენებენ რეზისტორების, რეოსტატების, თერმოწყვილების, ჭურჭლის დასამზადებლად, გემთმშენებლობაში და სხვ.

სპილიტი (<ბერძნ. spilos — ლაქა, წინწკალი), პალეოტიპური ბაზალტური შედგენილობის ქანი. ს-ს მიკროლითური, იშვიათად, დიაბაზური სტრუქტურა აქვს. შეიცავს ალბიტის წაგრძელებულ კრისტალებს, რ-თა შორის არის ქლორიტი და მადნეული მინერალები. ვარაუდობენ, რომ ს. წარმოიქმნება ლავის წყალქვეშა ამოფრქვევის შედეგად, ღედამიწის ქერქის მობილური სარტყლების განვითარების გეოსინკლინურ სტადიაში.

სპილოვნება, ელეფანტიაზი (<ბერძნ. elephas, ნათ. ბრ. elephantos — სპილო), ადამიანისა და ზოგიერთი ცხოველის დაავადება, რ-იც ვლინდება კანისა და კანქვეშა უჯრედისის პროგრესული გასქელებით ლიმფის ქრონიკული შეგუბების შედეგად. დაკავშირებულია ლიმფური ძარღვების თანდაყოლილ, მემკვიდრეობით-კონსტიტუციურ ან შეძენილ ნაკლოვანებასთან, რ-ის დროსაც ირღვევა ლიმფოდინამიკა — ლიმფური კაპილარებიდან ლიმფის შეწოვისა და ლიმფურ გზებში მისი მოძრაობის პროცესები. ადამიანს უმეტესად უზიანდება ქვემო კიდურები. დაავადების დასაწყისში აღინიშნება ტერფისა და წვივ-ტერფის სახსრის მიდამოს შეშუპება, რაც ქრება კიდურის აწეულ მდგომარეობაში გაჩერებისას. შეშუპება თანდათანობით ვრცელდება კიდურის ზემო ნაწილებზე და მკვრივდება, რის გამოც კიდური დროთა განმავლობაში სპილოს ფეხს ემსგავსება. ს-გან განარჩევენ სხვა მიზეზით ან დაავადებით ვამოწვეულ შეშუპებას (ქრონ. ვენური ნაკლოვანება, სიმსუქნე, ენდოკრინული დარღვევა, სიმსივნური პროცესი და სხვ.). მკურნალობა დაავადების დასაწყისში კონსერვატულია: ელასტიკური წინდა ან ბინტი, სისტემატური მასაჟი, კიდურის აწეულ მდგომარეობაში გაჩერება; შემდგომში — ქირურგ. ჩარევა (შემთხვევათა 85%-ში კარგ შედეგს იძლევა).

ლიტ.: Горшков С. З., Караванов Г. Г., Слоновость, М., 1972.

სპილოსებრი კუები, ხმელეთის კუსებრთა (Testudinidae) 2 სახეობის საერთო სახელწოდება. საკუთრივ ს. კ. (Testudo elephantopus) გავრცელებულია გალაპაგოსის კ-ებზე, გიგანტური კუ (T. gigantea) — სეიშელის, მასკარენისა და ინდ. ოკეანის ზოგიერთ სხვა კ-ზე; საკუთრივ ს. კ-გან განსხვავებით აქვთ კისრის ფარი. ს. კ-ის ჯავშნის სიგრძე 1,5 *მ*. მასა — 400 *კგ* აღწევს. აქვთ პატარა თავი, მეტად გრძელი კისერი. ინტენს. რეწვამ (იყენებდნენ ხორცს, ცხიმსა და კვერცხს) თითქმის გაანადგურა. ამჟამად უმნიშვნელო რაოდენობით არიან შემორჩენილი მხოლოდ ცალკეულ კ-ებსა და დიდ ზოოპარკებში.

თ. მუსხელიშვილი.

სპილოსებრნი (Elephantidae), ძუძუმწოვრების ოჯახი ხორთუმიანების რიგისა. ტანად დიდი ცხოველები არიან. მათი სიმაღლე 3,5 *მ*, ხოლო მასა — 4—5 *ტ* აღწევს. აქვთ მასიური სხეული, დიდი თავი, მოკლე კისერი, ბოძისებური ფეხები. წინა ფეხი 5-თითიანია, უკანა 5 ან 4-თითიანი. თითოეულ თითს პატარა ჩლიქი შეესატყვისება. ზედა ტუჩისა და ცხვირის ერთმანეთთან შეზრდის შედეგად წარმოქმნილია გრძელი და მოქნილი ხორთუმი. იგი წარმოადგენს შეხებისა და ყნოსვის, ამავე დროს საგნების გადასაადგილებელ ორგანოს. ყბებზე 4-4 კბილი აქვთ. კბილები დროთა განმავლობაში ცვდება და მათ ადგილს იკავებს მომდევნო კბილები, რაც ცხოველის სიცოცხლის განმავლობაში 6-ჯერ მეორდება. ეშვები არა აქვთ. ზედა შუა საჭრელები წაგრძელებულია და ქმნიან შუანებს, რ-თა სიგრძე ზოგჯერ შეიძლება 4 *მ*, ხოლო მასა 100 *კგ* აღწევდეს. შუანები აქვთ მხოლოდ მამლებს, იშვიათად უვითარდება დედალ აფრ. სპილოს (თანაც მეტად მოკლე). ს-თა კუჭი მარტივია. კანის სისქე 3—4 *სმ* აღწევს. ბალნიანი საფარველი რედუცირებულია. მაკეობა 628 დღემდე (ზოგი ცნობით 24 თვემდე) გრძელდება. შობენ ერთ ნაშიერს, რ-ის მასა 90 *კგ* აღწევს. სქესობრივად მწიფდებიან 17—20 წლისა, ცოცხლობენ 80 წლამდე. იკვებებიან მცენარეებით, ზოგჯერ ჭამენ მსხვილ ტოტებს, ფიჩხებს, ფოთლებს, ხის ქერქს. საკვების ძებნისას ხშირად 100 *კმ*-ზე მეტის გავლა უხდებათ. თავისუფლად იკაფავენ გზას ულრანსა და დაბურულ ტყეში, ჭაობიან ადგილებში და სხვ. წყალს ხორთუმით იღებენ და პირში ისხამენ. ცხოვრობენ ჯოგებად, რ-ებიც თავს იყრის 10-იდან 100-ზე მეტი ეგზემპლარი. ს. მრავალ ადგილას მოსპობილია. ამჟამად ყველგან იცავენ. იყენებენ ს-თა ძვალს (შუანებს). ხორცი საკვებად ვარგისია. ცნობილია ს-თა 2 გვარის თითო სახეობა: აზიური სპილო (Elephas asiaticus) გავრცელებულია ინდოეთში, ბირმაში, ნეპალში, ტაილანდში, ვიეტნამში, მალაიზიაში, კ. სუმატრაზე, შრი-ლანკაზე. მისი მოთვინიერება და გაწვრთნა ადვილია. როგორც ამოწყდომის გზაზე მდგომი სახეობა, შეტანილია „წითელ წიგნში". აფრიკული სპილო (Loxodonta africana) გვხვდება თითქმის მთელ აფრიკაში, საჰარის სამხრეთით.

ა. ჯაბაშვილი.



სპილოსებრი კუები. საკუთრივ სპილოსებრი კუ.

სპილოს ძვლის ნაპირი, სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკა (République de Côte d'Ivoire), სახელმწიფო დას. აფრიკაში, ატლანტის ოკ. სანაპიროზე. ფართ. 322,5 ათ. *კმ*². მოსახლ. დაახლ. 9 მლნ. კაცი (1983), დედაქალაქი — აბიჯანი. ოფიც. ენა — ფრანგული. ეროვნ. დღესასწაულია 7 დეკ. ამ დღეს აღინიშნება ორი თარიღი: საფრ. გაერთიანებაში რესპ. გამოცხადების დღე (4 დეკ. 1958) და დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (7 აგვ. 1960). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია აფრ. ფრანკი. ადმინისტრაციულად იყოფა 26 დეპარტამენტად.

ს. ძ. ნ. რესპუბლიკაა, მოქმედებს 1960 კონსტიტუცია. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნ. კრება — ერთპალატიანი პარლამენტი. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, რ-იც ადგენს მთავრობას.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. გვინეის ყურის სანაპირო ხაზი სუსტადაა შეჭრილ-შემოჭრილი. ზედაპირი სამხრ-ით ბორცვიანი ვაკეა, ჩრდ-ით — პლატო (საშ. სიმაღლე 500—800 *მ*). დას. აღწილში აღმართულია ქვეყნის უმაღლესი მწვ. ნიმბა (1752 *მ*). სასარგებლო წიაღისეულიდან პრაქტ. მნიშვნელობისაა ალმასი და მანგანუმის მადანი. არის ოქროს, ბოქსიტის, რკინის მადნის, ნავთობის, კალისა და კოლუმბიტის საბადოები.

ჰავა სამხრ-ით ეკვატორულია, მუდმივნოტიო, დანარჩენ ტერიტორიაზე — სუბეკვატორული. სამხრ-ით ყველაზე ცხელი თვეების (დეკ.—აპრ.) საშ. ტემპ-რაა 27—28°C, ყველაზე ცივისა (ივლ.—სექტ.) 23—24°C, ჩრდ-ით, შესაბამისად, 30°C (აპრ.) და 25°C (აგვ.—სექტ.). ნალექები სანაპირო დაბლობზე 1300—2300 *მმ* წელიწადში, ჩრდ-ით—1100—1600 *მმ*. მდინარეთა ქსელი ხშირია. მთავარი მდ-ებია კავალი, სასანდრა, ბანდამა, კომოე.

ქვეყნის სამხრ. ნაწილში მარადმწვანე ეკვატორული ტყეებია წითელ-ყვითელ ლატერიტულ ნიადაგზე, ჩრდ. ნაწილში — ტყესავანა და მაღალბალახოვანი სავანა წითელ ლატერიტულ ნიადაგებზე. მდ-ების გაყოლებით ჭალის ტყეებია. ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. ბინადრობს მაიმუნი, სპილო, ბეჰემოთი, ჯიქი, აფთარი, ტურა, ანტილოპი, კამეჩი, ბევრია ქვეწარმავალი.



სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

მოსახლეობა. ცხოვრობენ ძირითადად: ბაულე, ანია, ბეტე, სენუფო, მანდინგო და სხვ. ხალხები. დაახლ. 1,5 მლნ. უცხოელია — ზემო ვოლტიდან, მალიდან და განიდან გადმოსახლებულები. არიან აგრეთვე ევროპელები (ძირითადად ფრანგები). მოსახლ. უმრავლესობა ადგილ. ტრად. რწმენებს აღიარებს, არიან მუსლიმანები, ქრისტიანები. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 85% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და თევზჭერაში. ყველაზე მჭიდროდაა დასახლ. ქვეყნის ცენტრ. ნაწილი და აბიჯანის რ-ნი. მოსახლ. დაახლ. 20% ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია აბიჯანი (1,8 მლნ-ზე მეტი მცხ., გარეუბნებიანად, 1983). დიდი ქ-ებია: ბუაკე, დალოა, მანი, კოროგო, განიოა.

ისტორიული ნარკვევი. ქვეყნის უძველესი ისტორია ნაკლებადაა შესწავლილი. შუა საუკუნეებში აქ მნიშვნელოვნად განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა. XV ს. ბოლოს ს. ძ. ნ-ის ტერიტორიაზე მოვიდნენ პორტუგალიელები და სხვა ევროპელები, რ-თაც მონებად გაჰყავდათ აფრიკელები; გაჰქონდათ სპილოს ძვალი და სხვა ძვირფასეულობა. 1842 — 43 საფრანგეთმა დაიპყრო გრან-ბასამი და ასინი, შემდეგ — სანაპიროს სხვა პუნქტებიც. XIX ს. 80-იან წლებში ფრანგი კოლონიზატორები შეიჭრნენ ქვეყნის სიღრმეში და 1893 შეიქმნა საფრ. კოლონია ს. ძ. ნ. 1895-იდან ემორჩილებოდა დას. აფრიკის საფრ. სამფლობელოების გენ-გუბერნატორს. 1904—58 შედიოდა საფრ. დას. აფრიკის შემადგენლობაში. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ახ. აღმავლობა. 1946 შეიქმნა ს. ძ. ნ-ის დემოკრ. პარტია (დპ, როგორც აფრ. დემოკრ. გაერთიანების სექცია, მმართველი პარტია). 1950—51 კოლონ. ხელისუფალთა რეპრესიებს სახ. გამოსვლები მოჰყვა. ს. ძ. ნ-ისა და სხვ. აფრ. კოლონ. ხალხთა განმათ. მოძრაობის ზეგავლენით საფრ. მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1958 წ. 28 სექტ. ს. ძ. ნ-მა რეფერენდუმის შედეგად მიიღო საფრ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნის სტატუსი. შეიქმნა მთავრობა დემოკრ. პარტიის ლიდერებისაგან ფ. უფუე-ბუანის მეთაურობით. 1959 ს. ძ. ნ-მა, ზემო ვოლტამ, დაჰომეამ და ნიგერმა შექმნეს ეკონ. და პოლიტ. კავშირი, ე. წ. თანხმობის საბჭო (1966 მას ტოგოც შეუერთდა). 1960 წ. 7 აგვ. ს. ძ. ნ-მა დამოუკიდებლობა მოიპოვა. სექტ-ში გაეროს წევრი გახდა, ნოემბერში მიიღეს ახ. კონსტიტუცია. ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს ფ. უფუე-ბუანი. ს. ძ. ნ-ს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც არ გაუწყვეტია მჭიდრო პოლიტ., ეკონ. და სამხ. კავშირი საფრანგეთთან. 1961 ს. ძ. ნ. მონაწილეობდა აფრიკა-მალაგასის ორგანიზაციის შექმნაში (1970-იდან საერთო აფრიკა-მალაგას-მავრიკის ორგანიზაცია). უფუე-ბუანის მთავრობა ხელს უწყობს კერძო მეწარმეობის განვითარებას, ფართოდ უხსნის გზას უცხო კაპიტალს.

1967 ს. ძ. ნ-მა დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრ კავშირთან, 1969 მაისში — გაწყვიტა ურთიერთობა. 1980 სექტ.-ოქტ. ჩატარდა დპ-ის ყრილობა, რ-მაც განიხილა ქვეყნის ფინანს.-ეკონ. მდგომარეობა და დასახა ღონისძიებები მისი გაუმჯობესებისათვის. ოქტ-ში ფ. უფუე-ბუანი მეხუთედ აირჩიეს ს. ძ. ნ-ის პრეზიდენტად. 1981 იანვ.-თებ. ჩატარდა მშრომელთა დემოკრატიული ხელფასის შემცირების წინააღმდეგ. დეკ. მთავრობა იძულებული გახდა 1982 წ. 1 იანვრიდან გამოეცხადებინა სახელმწ. დაწესებულებებისა და კერძო სექტორის მუშაკთათვის 10%-ით ხელფასის მომატება.

ეკონომიკა. ს. ძ. ნ. აგრ. ქვეყანაა. ხანგრძლივი კოლონ. ბატონობის შედეგად წამყვანი მნიშვნელობა მოიპოვა სოფ. მეურნ. საექსპორტო დარგებმა. მრეწვ. დარგებიდან გამოირჩევა ხე-ტყის დამამზადებელი, ხის დასამუშ. და კვების მრეწველობა. ეკონომიკაში, განსაკუთრებით მრეწველობაში, ძლიერი პოზიციები უჭირავს უცხ. (უმთავრესად საფრ.) კაპიტალს.

სოფ. მეურნეობაში შემორჩენილია თემური მიწათსარგებლობა. საექსპორტოდ მოჰყავთ (ათ. ტ, 1982—83): კაკაო — 352 (I ადგილი მსოფლიოში), ყავა — 267 (III ადგილი მსოფლიოში), ბამბა — 157, ბანანი, ანანასი; შიგა მოხმარებისათვის — ჩინ. კარტოფილი — 2,2, მანიოკი — 1,3, ბრინჯი — 0,5, სიმინდი — დაახლ. 0,3. არის ზეთის პალმის პლანტაციები. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. 1980 ქვეყანაში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი, ცხვარი და თხა — დაახლ. 2,8, ღორი — 0,3, შინაური ფრინველი — 6,1 მლნ. ფრთა. დიდი ყურადღება ექცევა ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის დამზადებას (დაახლ. 2 მლნ. $მ^3$, 1982) და თევზჭერას (90 ათ. ტ, 1981).

სასარგებლო წიაღისეული სუსტადაა ათვისებული. იღებენ ალმასს, მანგანუმის მადანს, ნავთობს. 1982 წარმოებული იყო 1,9 მლრდ. *კვტ-სთ* ელექტროენერგია. ქვეყანაში არის 70-მდე ხე-ტყის სახერხი ქ-ნა, რ-თა პროდუქცია გააქვთ ევროპაში და მეზობელ ქვეყნებში. არის საფქვავი, ხსნადი ყავის, კაკაოს ზეთის, ანანასის საკონსერვო, ველო- და ავტოსაამწყობო, ნავთობგადასამუშ., ცემენტის საწარმოები. მთავარი სამრეწვ. ცენტრია აბიჯანი, აგრეთვე ბუაკე.

რკინიგზის სიგრძეა 665 *კმ* (1982). საავტ. გზებისა — დაახლ. 48 ათ. *კმ*, აქედან 6 ათ. *კმ* მოასფალტებულია. 1982 ავტოპარკში იყო 190 ათ-ზე მეტი ავტომობილი. დიდი საზღვ. ნავსადგურებია აბიჯანი და სან-პედრო. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტებია პორტ-ბუე (აბიჯანის მახლობლად) და ბუაკე.

1982 ექსპორტმა შეადგინა 747,5 მლრდ. აფრ. ფრანკი, იმპორტმა — 718,6 მლრდ. გააქვთ კაკაო, ყავა, ხე-ტყე, აგრეთვე ნავთობპროდუქტები, ანანასი, ბანანი, პალმის ზეთი და სხვ. შეაქვთ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სამრეწვ. და სატრანსპ. მოწყობილობა, სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: საფრანგეთი (ექსპორტის 19,6%, იმპორტის 31,6%), აშშ, ნიდერლანდი, იტალია, იაპონია, გფრ, დიდი ბრიტანეთი.

განათლება. სკოლების უმრავლესობა სახელმწიფოა, კერძო სკოლები უპირატესად კათოლ. მისიათა ხელშია დაწყ. სკოლა 6-წლიანია, საშ. სკოლა — 7-წლიანი (4+3). 1983 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 430 ათ-ზე მეტი მოსწ., საშ. სკოლაში — 46 ათ-ზე მეტი. პროფმომზადება ხორციელდება 4—7-წლიან ტექ. ლიცეუმებში დაწყ. სკოლის ბაზაზე; 1983 სწავლობდა 5 ათ-მდე მოსწ. უმაღლეს პედ. სკოლაში სწავლობდა 700-ზე მეტი მოსწავლე. აბიჯანის უნ-ტში სწავლობდა 2 ათ-ზე მეტი სტუდენტი. სამეცნ. ცენტრებია: აბიჯანის უნ-ტი, აბიჯანის ჰუმანიტარულ მეცნ. ცენტრი, ადიოპოდუმის სამეცნ.-კვლ. ცენტრი, ტროპ. მეტყეეობის ცენტრი, კაუზუკის ინ-ტი და სხვ. აბიჯანში არის ეთნოგრ. მუზეუმი.

ს. ძ. ნ-ში გამოდის 8 პერიოდული გამოცემა, მ. შ. გაზეთი, ყოველკვირეული ჟურნალი და ბიულეტენი, უმთავრესად ფრანგ. ენაზე. საინფორმაციო სააგენტო დაარსდა 1961. რადიოგადაცემები მიმდინარეობს ფრანგ. და 10 ადგილ. ენაზე, ტელევიზია მუშაობს 1965-იდან.

ლიტერატურა. ს. ძ. ნ-ის ხალხებს (ანია, ბაულე, სენუფო და სხვ.) აქვთ მდიდარი ზეპირსიტყვიერება. ზეპირი ისტ. ლეგენდები და გადმოცემები, აგრეთვე მითები მნიშვნელოვანი წყაროა ამ ხალხების წარსულის გასაცნობად. წერილობითი ლიტ-რა ვითარდება ფრანგ. ენაზე, ფოლკლორული ტრადიციების საფუძველზე. მისი განვითარება დაკავშირებულია ფოლკლორისტის, პოეტისა და რომანისტის ბერნარ დადიეს სახელთან, რ-ის შემოქმედებაშიც ხალხ. ზეპირსიტყვიერების ტრადიციები შერწყმულია ახ. შინაარსთან. აღსანიშნავია პოეტების ჟ. მ. ბონინის, შ. ნოკანის, მორის კონეს შემოქმედება, პროზაიკოსების აკე ლობას (აბობო ბაულე), შარლ ნოკანის, სიდიკი დემბელეს თხზულებები.

ხალხური ხელოვნება. ს. ძ. ნ-ის თავისებური მხატვრული კულტურა აისახა მრავალფეროვან სარიტუალო ნიღბებში, რ-ებსაც მეტ გამომსახველობას ანიჭებდნენ სალებაებითა და კვეთილი ჩუქურთმებით. შემონახულია წინაპრებისა და ღმერთების დამახინჯებული პროპორციების ხის სტატუეტები, გეომ. კვეთილობით ამკობენ საყოფაცხოვრებო ნივთებსაც. მასდევენ აგრეთვე ოქროს, ბრინჯაოსა და სპილენძის ნივთების დამზადებას.

ლიტ.: Блохин Л. Ф., Берег Слоновой Кости. Экономико-географическая характеристика, М., 1967; Новейшая история Африки, М., 1968, с. 207 — 237; Потехина Г. И., Очерки современной литературы Западной Африки, М., 1968.

სპინი (ინგლ. spin—ბრუნვა, ბზრიალი), *ელემენტარული ნაწილაკების* მოძრაობის რაოდენობის საკუთარი მომენტი, რ-საც კვანტური ბუნება აქვს და არ არის დაკავშირებული ნაწილაკის, როგორც მთლიანის, გადაადგილებასთან („ს-ის" ცნების შემოტანისას დაშვებული იყო, რომ ელექტრონი შეიძლება განვიხილოთ როგორც „მბრუნავი ბზრიალა", ხოლო მისი ს. — როგორც ასეთი ბრუნვის მახასიათებელი; აქედანაა სახელწ. „ს."). ს-ს ვექტორის კვადრატი $S^2=\hbar^2 s\,(s+1)$, სადაც $\hbar$ არის პლანკის მუდმივა, s — თითოეული ელემენტარული ნაწილაკის მახასიათებელი, ე. წ. *სპინური კვანტური რიცხვი* (ჩვეულებრივად მას უბრალოდ ს-ს უწოდებენ). ს-ს უწოდებენ აგრეთვე ატომის ბირთვის (ზოგჯერ თვით ატომის) მოძრაობის რაოდენობის საკუთარ მომენტს. ასეთ შემთხვევაში ს-ს განსაზღვრავენ როგორც სისტემის შემქმნელი

ელემენტარული ნაწილაკების ს-ებისა და ნაწილაკების იმ ორბიტული მომენტების ვექტორულ ჯამს, რ-ებსაც განაპირობებს სისტემის შიგნით მათი მოძრაობა. ეს ჯამი გამოითვლება *კვანტურ მექანიკაში* მომენტების შეკრების წესის მიხედვით. ელემენტარულ ნაწილაკებს მათ მთელი ან მთელნახევარი ს., მაგ., ელექტრონის, პროტონის, ნეიტრონის, ანტინეიტრინოს ისე როგორც მათი ანტინაწილაკების ს. s უდრის 1/2, π- და K-მეზონებისა—0, ფოტონებისა — $(+1)$, თუმცა ფოტონის (ისე როგორც ნეიტრინოს), მოძრაობის რაოდენობის საკუთარი მომენტის გაზომვა შეუძლებელია, რადგან არ არის ათვლის სისტემა, რ-შიც ფოტონი უძრავია. მხოლოდ კვანტურ ელექტროდინამიკაში მტკიცდება, რომ ფოტონის სრული მომენტი ნებისმიერ ათვლის სისტემაში არ შეიძლება 1-ზე ნაკლები იყოს. ეს საფუძველს გვაძლევს ფოტონს მივაწეროთ 1-ის ტოლი ს. ის გარემოება, რომ ნეიტრონის ს. 1/2-ია, გამომდინარეობს ბეტა-დაშლის პროცესში მოძრაობის რაოდენობის მომენტის მუდმივობის კანონიდან.


ს-ის პროექციას სივრცეში ნებისმიერ არჩეულ z მიმართულებაზე S_z შეუძლია მიიღოს ($\hbar$ ერთეულებით) მნიშვნელობები $s, s-1, \ldots, -s$. მაშასადამე, ნაწილაკს შეუძლია იმყოფებოდეს $2s+1$ სხვადასხვა მდგომარეობაში (როცა $s = 1/2$ ორ მდგომარეობაში), რაც დამატებითი შინაარსი თავისუფლების ხარისხის ეკვივალენტურია.

ს-ის კონცეფცია ფიზიკაში შემოიტანეს ჯ. ულენბეკმა და ს. გაუდსმითმა (1925), რ-ებმაც ივარაუდეს ელექტრონისთვის საკუთარი მექან. და მათთან დაკავშირებული მაგნ. მომენტების არსებობა. ამ სიდიდეების ფარდობა ელექტრონისათვის ანომალიური აღმოჩნდა (იხ. *მაგნიტურ-მექანიკური ფარდობა*).

ელექტრონის ს-ის გათვალისწინებით *პაულიმ* ჩამოაყალიბა, ე. წ. *პაულის პრინციპი*. ელექტრონის ს-ის არსებობის ნაწ *სტრუქტურას*, მრავალელექტრონიან ატომებში ელექტრონული გარსების შევსების თანამიმდევრობასა და სხვ. ნაწილაკთა სპინი ცალსახად განსაზღვრავს იმ სტატისტიკას, რ-ებსაც ისინი ემორჩილებიან (იხ. *ბოზე—აინშტაინის სტატისტიკა, ფერმი—დირაკის სტატისტიკა*).

სპინინგი (ინგლ. spinning < spin — ტრუნვა), მტაცებელი თევზის დასაჭერი ხელოვნური სათევზაო ხელსაწყო; შედგება 3,5-მდე θ სიგრძის ანკესის ჯოხის (რ-საც აქვს გასატარებელი რგოლები), ბაჭის, ანკესის მკიდისა და სატყუარასაგან (ბეზოზის ან პატარა თევზის ფორმის ხელოვნური მისატყუარი). ტყვირთსა და ანკესს სადავეს, რ-ზეც დამაგრებულია სატყუარა და ერთი ან რამდენიმე ანკესი, ამაგრებენ ანკესის მკიდის ბოლოზე. სატყუარას ისვრიან განსაზღვრულ ადგილას, შემდეგ იგი მოძრავ თევზს რომ დაემსგავსოს, ანკესის მკიდს მოჭიმავენ და კოჭობზე ახვევენ.

სპინოზა (Spinoza, d'Espinosa) ბენედიქტ (ბარუხ) (24. XI. 1632, ამსტერდამი — 21. II. 1677, ჰააგა), ჰოლანდიელი (სეფარდელი) პანთეისტი ფილოსოფოსი, რაციონალისტი. დაიბადა ვაჭრის ოჯახში. მისი წინაპრები პორტუგალიიდან ნიდერლანდში გადმოხვეწილი ებრაელები იყვნენ. ახალგაზრდობაშივე მიიღო ებრაული სას. განათლება და ებრაული წესის შესაბამისად შეისწავლა მხოლოდ ერთი ხელობა — ლინზების დამუშავება, რითაც თავს ირჩენდა. 1656 წელს ეკლესიამ განაკვეთა და შეჩვენებულ იქნა ებრაული საზოგადოებისაგან. უნდოდათ მოეკლათ. ამის შემდეგ მან ებრაული სახელი ბარუხი ლათინურ ბენედიქტად გადაირქვა (გვარ სპინოზა ესპ. ერთ-ერთი ჰატარა ქალაქის სახელწოდებიდან მომდინარეობს). მისი უმთავრესი შრომაა გეომ. პრინციპებით დალაგებული „ეთიკა“ (1677). ს-ზე გავლენა იქონია დეკარტის ფილოს. ამოსავალმა პრინციპებმა, განსაკუთრებით მათ. მეთოდმა. განიცადა აგრეთვე მ. მაიმონიდის, ჯ. ბრუნოს, ტ. ჰობზისა და სხვ. გავლენა. ს-მ დეკარტის სუბსტანციონალური დუალიზმი სუბსტანციონალურ მონიზმად შეცვალა. მისი აზრით, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთადერთი უსასრულო და მარადიული სუბსტანცია—ღმერთი ანუ ბუნება. ს. ღმერთისა და ბუნების გაიგივებით პანთეიზმის პოზიციის დამცველია. რამდენადაც ღმერთისა და ბუნების გაიგივება სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი და გარკვეულ სიძნელეებს შეიცავს, ამდენად ს-ს რაციონალისტური პანთეიზმი სხვადასხვანაირი გაგების საფუძველს იძლევა. ამიტომ ზოგი მას მატერიალ. პანთეიზმის წარმომადგენლად, საერთოდ მატერიალისტად და ათეისტად თვლის, ზოგი კი იდეალ. პანთეიზმის დამცველად და თეისტად.



სპილოს ძვლის ნაპირი. აბიჯანი. რესპუბლიკის მოედანი.



ბ. სპინოზა.

ს-ს თვალსაზრისით, სუბსტანცია არის ის, რაც თავისთავისა და ყოველივეეს მიზეზია, რის არსებობაც მის არსებას ემთხვევა და რის მოაზრებისათვისაც სხვა რამის მოაზრება არ არის საჭირო. სუბსტანცია შინაგანი აუცილებლობის, ე. ი. თავისუფლების მატარებელი თავისი თავის მიზეზია (causa sui). იგი საგანთა იმანენტური, რეალური და ლოგიკური მიზეზიცაა. აღსანიშნავია, რომ ს. არ განასხვავებს მიზეზსა და საფუძველს, რასაც ფილოს. ისტორიაში დ. იუმამდე არც არავინ ასხვავებდა. სუბსტანცია უსასრულო, სრული და უნაკლოა. მას არა აქვს მიზანი და ნებისყოფა, რადგან ეს თვისებები სუბსტანციის ნაკლოვანებების მაჩვენებელი იქნებოდა. სუბსტანციის უსასრულო ატრიბუტებიდან ადამიანისათვის ცნობილია მხოლოდ ორი ატრიბუტი — აზროვნება და განფენილობა, რადგან ადამიანი ამ ორი თვისებით არის განსაზღვრული. სუბსტანციის უსასრულობა არ ემთხვევა ატრიბუტების უსასრულობას: სუბსტანცია უსასრულოა ყოველმხრივ, ატრიბუტი კი უსასრულოა თავის გვარში, სუბსტანციის ატრიბუტები საკამათო საკითხია ფილოს. ისტორიაში. ზოგს ისინი ნამდვილად არარსებულ, მხოლოდ გონების მიერ წარმოდგენილ თვისებად მიაჩნია (ერდმანი), ზოგს — სივრცის განზომილებების ანალოგიურად (ვ. ვინდელბანდი), ნაწილს — სუბსტანციის კვალიტატიურ გარკვეულობად (ს. წერეთელი, მ. გოგიბერიძე), ზოგიერთებს კი — სუბსტანციის საგნებში გამოვლენის გზად, წესად (კ. ბაქრაძე) და სხვ.

ს. განასხვავებს მწარმოებელსა და წარმოებულ ბუნებას (natura naturans და natura naturata). საგნობრივ-იდეალური სამყარო უსასრულო სუბსტანციის გამოვლენის ფორმებია, მოდუსებია. არსებობს ორი რიგის მოდუსი: მატერ. საგანთა და იდეალურ საგანთა კერძო მოდუსები. პირველი რიგის ზოგადი მოდუსია მოძრაობა, მეორისა — გონება. მატერ. და იდეალურ საგანთა არსებობის წესი და რიგი ერთნაირია, — აღნიშნავს ს., ამასთან ხაზს არ უსვამს რომელიმეს მეორეზე დაქვემდებარებას.

ადამიანის სული არის ყოვლისმომცველი აბსოლუტური სუბსტანციის ნაწილი და მასში დაბრუნებით პოულობს იგი მარადიულობას. ს. დეტერმინისტულად ხსნის ადამიანის აფექტებს, უარყოფს ნების თავისუფლებას და ნებას აიგივებს გონებასთან, ამასთან ცნობს შეცნობილ, თავისუფალ აუცილებლობას. ს-ს „თავისუფლების, როგორც შეცნობილი აუცილებლობის“ ცნება, რ-საც ჰეგელიც აღიარებდა, ჰარქისტულ ფილოსოფიაშიც არის მიღებული. ადამიანურ მისწრაფება-ენებებს შორის უმთავრესია თვითშემეცნებისაკენ სწრაფვა. ს-ს ძეძღვნების თეორია სამ საფეხურად იშლება: 1. იმაჟინალური შემეცნება, რ-ის საგანია გრძნობადი სინამდვილე; 2. ინტელექტუალური შემეცნება, რ-ის საგანია მიზეზობრიობა, ზოგადობა მოდუსებში, და 3. ინტუიციური შემეცნება, რ-იც ინტელექტუალური ინტუიციის სახეს ატარებს და რ-ის საგანიცაა ატრიბუტები (სუბსტანცია). ს-დმი განსაკუთრებული ინტერესი წარმოიშვა სპინოზიზმის თაობაზე ფ. ჰ. იაკობის მიერ მ. მენდელსონთან აღძრული კამათის გამო. ს-ს ფილოს. გავლენა განიცადეს ი. ვ. გოეთემ, ი. გ. ჰერდერმა, ფ. დ. შლაიერმახერმა, ი. ჰ. ფიხტემ, ფ. ვ. შელინგმა, გ. ვ. ფ. ჰეგელმა და სხვ. ს-ს მოძღვრების ათეისტურმა ტენდენციებმა გავლენა მოახდინეს აგრეთვე ფრანგ მატერიალისტებზე, ლ. *ფოიერბახზე* და ა. შ. მარქსისტული ფილოსოფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ს-ს ფილოს. მატერიალ.-პანთეისტური ასპექტები და დიალექტ.-აზროვნების საყურადღებო ნიმუშები.

თხზ.: Opera. Bd. 1—4, Hdlb., 1925; Избр. произведения в 2-х томах, М., 1957; Богословско-политический трактат, М., 1935; Краткий трактат о боге, человеке и его блаженстве, Л., 1929; Трактат об усовершенствовании разума, М., 1934.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 2, с. 139—142, 144—146, 154; т. 20, с. 350; т. 29, с. 457; Ленин В. И., Философские тетради, Полн. собр. соч., 5 изд., т. 29; Беленький М. С., Спиноза, М., 1964; Соколов В. В., Спиноза, 2 изд., М., 1977; Фишер К., История новой философии, пер. с нем., т. 2, СПб., 1906; ბაქრაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969; გოგებერიძე მ., სპინოზა, ტფ., 1927; Freudenthal J., Gebhardt C., Spinoza. Leben und Lehre, Tl. 1—2, Hdlb., 1927; Stern J., Die Philosophie Spinoza's, 2. Aufl., Stuttg., 1894. *რ. გორდეზიანი.*

სპინ-ორბიტული ურთიერთქმედება, ნაწილაკების ურთიერთქმედება, რ-იც დამოკიდებულია მათი მოძრაობის რაოდენობის ორბიტული და სპინური მომენტების სიდიდეებსა და მათ ურთიერთორიენტაციაზე და იწვევს ე. წ. სისტემის ენერგიის დონეების ნაზ გაწლეჩას (იხ. *ნაზი სტრუქტურა*). ს.-ო. შ. *რელატივისტური ეფექტია.* ფორმალურად იგი მიიღება იმ შემთხვევაში, თუ გარე ველში სწრაფად მოძრავი ნაწილაკის ენერგიას მოვძებნით v^2/c^2 სიზუსტით (v არის ნაწილაკის სიჩქარე, c — *სინათლის სიჩქარე*).


სპინორი (<ინგლ. spin — ბრუნვა), მათემატიკური სიდიდე, რ-იც ხასიათდება ერთი საკოორდინატო სისტემიდან მეორეზე გადასვლისას გარდაქმნის განსაკუთრებული კანონით. ს. გამოიყენება კვანტური მექან., ჯგუფთა წარმოდგენის თეორიისა და სხვა საკითხებში. იხ. *სპინორული აღრიცხვა.*

სპირალური ანტენა



ა ბ

ნახ. 1. ბრტყელი სპირალური ანტენა: ა—არქიმედეს სპირალი; ბ—ლოგარითმული სპირალი.




ნახ. 2. სივრცული სპირალური ანტენა: ა—ცილინდრული; ბ—კონუსური; 1—ლითონის სპირალი; 2—ლითონის ეკრანი; 3—კოაქსიალური ხაზი.

სპინორული ალრიცხვა, მათემატიკური თეორია, რ-იც შეისწავლის განსაკუთრებული სახის სიდიდეებს — *სპინორებს*. ფიზ. სიდიდეებს მათი შესწავლისას, ჩვეულებრივ, განიხილავენ ამა თუ იმ კოორდინატთა სისტემაში. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამ სიდიდეთა გარდაქმნის კანონები ერთი კოორდინატთა სისტემიდან მეორეზე გადასვლისას, განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის სიდიდეებს (*ვექტორებს, ტენზორებს* და სხვ.). ელექტრონის *სპინის* შესწავლისას აღმოჩნდა, რომ არსებობს ისეთი ფიზ. სიდიდეები, რ-ებიც არ განეკუთვნებიან ადრე ცნობილ ტიპებს (მაგ., ისინი განისაზღვრება ნიშნის სიზუსტით, ვინაიდან კოორდინატთა სისტემის რომელიმე ღერძის გარშემო 2π კუთხით მობრუნებისას ამ სიდიდეთა ყველა კომპონენტი იცვლის ნიშანს). ასეთი სიდიდეები განიხილა ჯერ კიდევ 1913 ე. *კარტანმა*. ეს სიდიდეები ხელახლა აღმოაჩინა 1929 ბ. ლ. ვარდენმა კვანტური მექან. საკითხების კვლევისას. ამ სიდიდეებს მანვე სპინორები უწოდა.

პირველი ვალენტობის სპინორები მოცემულია ორი კომპლ. რიცხვით (ξ^1, ξ^2), ამასთან მიღებულია, რომ (ξ^1, ξ^2) და ($-\xi^1$, $-\xi^2$) ერთობლიობანი განსაზღვრავენ ერთსა და იმავე სპინორს. ეს აიხსნება ერთი კოორდინატთა სისტემიდან მეორეზე გადასვლისას სპინორების გარდაქმნის კანონით. კოორდინატთა სისტემის Θ კუთხით მობრუნებისას ღერძის გარშემო მიმმართველი კოსინუსებით $\cos\chi_1$, $\cos\chi_2$, $\cos\chi_3$ სპინორის კომპონენტები გარდაიქმნებიან ფორმულებით: $\xi^{1'}=\alpha\xi^1+\beta\xi^2$, $\xi^{2'}=\gamma\xi^1+\delta\xi^2$, სადაც $\alpha=\lambda+i\mu$, $\beta=\nu+i\rho$, $\gamma=-\bar{\beta}$, $\delta=\bar{\alpha}$, $\lambda=\cos\frac{\Theta}{2}$, $\mu=\sin\frac{\Theta}{2}\cos\chi_1$, $\nu=\sin\frac{\Theta}{2}\cos\chi_2$, $\rho=\sin\frac{\Theta}{2}\cos\chi_3$. კერძოდ, კოორდინატთა სისტემის 2π კუთხით მობრუნებისას (სისტემა უბრუნდება თავის საწყის მდგომარეობას) სპინორის ყველა კომპონენტი იცვლის ნიშანს. ამით აიხსნება (ξ^1, ξ^2) და ($-\xi^1$, $-\xi^2$) სპინორების იგივურობა. სპინორული ალგებრა ტენზორული ალგებრის ანალოგიურად აიგება.

ს. ა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს კვანტურ მექანიკაში, ქიმ. ვალენტობის კვანტურ თეორიაში, მრავალგანზომილებიან სივრცეთა ბრუნვათა ჯგუფის წარმოდგენების საკითხებში; დაკავშირებულია აგრეთვე არაევკლიდური გეომ. საკითხებთან.



სპირაჯო. კარიერის საფეხურის სპირაჯო (A—სპირაჯოს განი).

ლიტ.: Рашевский П. К., Риманова геометрия и тензорный анализ, 3 изд., М., 1967; Румер Ю. Б., Спинарный анализ, М.—Л., 1936.

სპინ-სპინური ურთიერთქმედება, ურთიერთქმედება ნაწილაკების სპინურ მაგნიტურ მომენტებს შორის (იხ. *სპინი*). ს.-ს. უ. *რელატივისტური ეფექტია* (იგი შეიცავს $1/c^2$ მამრავლს, სადაც c *სინათლის სიჩქარეა*). ამის შედეგად ს.-ს. უ. მცირეა ნაწილაკების ელექტრულ ურთიერთქმედებასთან, გაცვლითს ურთიერთქმედებასა და სხვა ურთიერთქმედებასთან შედარებით.

ბირთვისა და ელექტრონების სპინური მაგნ. მომენტების ურთიერთქმედებას თავისი წვლილი შეაქვს ატომის ენერგიაში. ამის გამო ეს ენერგია დამოკიდებულია ელექტრონების ჯამური სპინისა და ბირთვის სპინის ურთიერთორიენტაციაზე, რაც იწვევს ატომთა ენერგიის დონეებისა და ატომური სპექტრების ხაზების ზენაზ გაბლეჩას (იხ. *ზენაზი სტრუქტურა*).

სპინტარისკოპი, სპინთარისკოპი (<ბერძნ. spintharis — ნაპერწკალი და . . . *სკოპი*), სადემონსტრაციო ხელსაწყო α-ნაწილაკებზე ვიზუალური დაკვირვებისათვის. სცინტილაციური ნივთიერებით დაფარულ ეკრანზე α-ნაწილაკის დაცემა იწვევს სუსტ სინათლის აფეთქებას, რაზედაც შეიძლება თვალით დაკვირვება. ს. *სცინტილაციური მთვლელების* წინამორბედია.

სპინური კვანტური რიცხვი, კვანტური რიცხვი s, რ-იც განსაზღვრავს *ელემენტარული ნაწილაკების* საკუთარ მექანიკურ მომენტს (*სპინს*); ღებულობს მთელ (მ. შ. ნულოვან) ან მთელნახევარ დადებით მნიშვნელობას.

სპინური ტალღები, 1. მაგნიტურად მოწესრიგებულ გარემოში (მაგნეტიკებში) „სპინური წესრიგის" დარღვევის ტალღები. 2. ს. ტ. არამაგნიტურ ლითონებში, *გამტარობის ელექტრონების* სპინური სიმკვრივის რხევები, რ-ებსაც განაპირობებს მ. შ. *გაცვლითი ურთიერთქმედება*.

სპირალური ანტენა, მსრბოლი ტალღის დიაპაზონური ანტენა. იყენებენ უპირატესად დეციმეტრული და სანტიმეტრული ტალღების გამოსასხივებლად (ან მისაღებად), აგრეთვე გამომსხივარად სარკულ და ლინზურ ანტენებში (მაგ. კოსმ. კავშირის სისტემებში). განასხვავებენ ბრტყელ და სივრცულ (მოცულობით) ს. ა-ს. ბრტყელი ს. ა. შედგება არქიმედეს (ნახ. 1, ა) ან ლოგარითმული (ნახ. 1, ბ) სპირალის ფორმის ორი გამტარისაგან (მხარისაგან). გადამცემი (ან მიმღები) მიერთებულია ს. ა-ის მხრებთან ცენტრ. ნაწილში კოაქსიალური ან ორგამტარიანი ხაზით. სივრცული ს. ა. არის გამტარისაგან შედგენილი სპირალი, რ-საც აქვს ცილინდრული (ნახ. 2, ა) ან კონუსური (ნახ. 2, ბ) ფორმა. სპირალი შეერთებული უნდა იყოს კოაქსიალური ხაზის ცენტრ. გამტართან. კოაქსიალური ხაზის გარე გამტარი კი უერთდება ლითონის ბრტყელ ეკრანს.

გ. კიკვილაშვილი.

სპირალურჯავშანიანები (Spirotricha), უმარტივესთა ქვეკლასი *ინფუზორიების* კლასისა. აქვთ პირისირგვლივი, მარცხნიდან მარჯვნივ დახვეული მემბრანელები (წამწამების შეზრდით წარმოქმნილი ფირფიტოვანი სტრუქტურები), რ-ებიც ემსახურებიან მოძრაობას და საკვების გადაადგილებას პირის ხვრელისაკენ. ქვეკლასში 2000-მდე სახეობაა. ბინადრობენ ზღვასა და მტკნარ წყლებში. ს-ის ძირითადი მასა მიკრობენთოსის შედგენილობაში შედის ან ფსკერთან წყლის ფენაში ბინადრობს. ს-ს შორის გვხვდება ენდოპარაზიტები, აგრეთვე ექტოკომენსალები.

სპირანები (<ლათ. spira — კრენდელი), ნაერთები, რ-თა ორი ციკლი დაკავშირებულია ერთმანეთთან ნახშირბადის ერთი საერთო ატომით (იშვიათად Si, P და As).

სპირანტი ბგერები, იგივეა, რაც ნაპრალოვნები, თანხმოვნები, რ-ებიც საწარმოთქმო ნაპრალში წარმოქმნილი ჩქამით (ჰაერის ხახუნის ხმაურით) ხასიათდება. მაგ., ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ. ზოგჯერ ნაპრალოვანს უწოდებენ არაჩქამიერ (სონორ) თანხმოვანსაც, თუ მას ჰაერისათვის ნაპრალის მსგავსი გასასვლელი აქვს (მაგ., ლ).

სპირაჯო, 1. მცირე სიგრძისა და განივი კვეთის გვირაბი (ჰორიზ., დახრილი, განივი, შეწყვილებული, შემხვედრი), რ-იც უშუალოდ ემიჯნება გამომუშავებულ სივრცეს ან ამ უკანასკნელისაგან გამოყოფილია სასარგებლო წიაღისეულის *მთლანით*. ს. განკუთვნილია სასარგებლო წიაღისეულის უშუალოდ ამოღებისათვის ან მასში საბურღი მოწყობილობის მოსათავსებლად (საწმენდი სამუშაოების დროს).

2. ექსკავატორით დასამუშავებელი საფეხურის ნაწილი. ს. გეგმაში *სანგრევის* სიგანის ტოლი ზოლია (ნახ.).

სპირიდოვი გრიგოლ ანდრიას ძე [1713—8(19). IV. 1790, მოსკოვი], რუსი საზღვაო ფლოტის სარდალი, ადმირალი (1769). 1723-იდან ფლოტში იყო, 1733 ოფიცრობა მიიღო. 1741-იდან ბალტიის ფლოტში მეთაურობდა სხვადასხვა სახის ხომალდებს. შვიდწლიან ომში (1756—63) კოლბერგის ციხესიმაგრის ალყის დროს იყო 2-ათასიანი სალესანტო რაზმის მეთაური. 1762 მიენიჭა კონტრადმირალის წოდება, მეთაურობდა ესკადრას, რ-იც პრუსიაში გაბლაგებულ რუს. არმიასთან კავშირს უზრუნველყოფდა. 1764-იდან რეველის, ხოლო 1766-იდან კრონშტადტის ნავსადგურების მეთაური. რუს.-ოსმ. ომის (1768—74) დროს 1769 ზაფხულში მეთაურობდა ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში ჯგუფსავნილ ესკადრას, რ-იც ეხმარებოდა ბერძნებს ოსმალების წინააღმდეგ. 17°0 წ. 26 ივნ. (7 ივლ.) რუსეთის ესკადრამ (ნომინალური მეთაური გრაფი ა. ორლოვი, ფაქტობრივი მეთაურები ს. და ს. კ. გრეიგი) გაანადგურა ოსმ. ჭლოტი და ეგეოსის ზღვაზე გაბატონდა. 1771—73 რუს. ფლოტის მეთაური არქიპელაგზე. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი დამსახურება მიაწერეს გრაფ. ა. ორლოვს, რის გამოც ს. 1774 გადადგა.

სპირილები [გვიანდ. ლათ. spirilla (კნინ.) < ლათ. spira, ბერძნ. speira —კლაკნი, ხვია], იმ ბაქტერიების გვარი, რ-თაც სპირალურად დახვეული ან რკალისებურად მოხრილი ჩხირის ფორმა აქვთ. მოძრაობენ უჯრედის ბოლოებზე განლაგებული ერთი ან რამდენიმე შოლტის მეშვეობით. ს. გავრცელებულია მტკნარ, მარილიან და ლპობად წყლებში, ცხოველთა ნაწლავებსა და ნაკელში. მათი უმრავლესობა საპროფიტია. ერთადერთი პათოგენური წარმომადგენელია S. minor, რ-იც გვხვდება ვირთაგვების ან სხვა მღრღნელების სისხლში და მათ მიერ ნაკბენი ადამიანის ორგანიზმში; იწვევს დაავადებას *სოდოკუს*.

ჯ. ჯეჯელავა.

სპირინი ალექსანდრე სერგეის ძე (დ. 4. IX. 1931, კალინინის სახ. დაბა, ახლანდ. მოსკ. ოლქის ქ. კალინინგრადი), საბჭ. ბიოქიმიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1970), სსრკ მეცნ. აკად. ცილის ინ-ტის დირექტორი (1967-იდან). მისი ძირითადი ნაშრომები ეხება ნუკლეინის მჟავების ბიოქიმ. და ცილების ბიოსინთეზის შესწავლას. ს-მა პირველმა მოგვცა რიბონუკლეინის მჟავას (რნმ) მაღალპოლიმერული მაკრომოლეკულური სტრუქტურის ხარისხობრივი აღწერილობა. დაადგინა *რიბოსომების* სტრუქტურული გარდაქმნები და ჩამოაყალიბა მათი აგებულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, აღმოაჩინა რიბოსომების ხელოვნური რეკონსტრუქციის შესაძლებლობა და მოგვცა ცილების ბიოსინთეზის პროცესში რიბოსომების მუშაობის მოლეკულური მექანიზმის მოდელი, ლ. გავრილოვასთან ერთად ექსპერიმენტულად დაამტკიცა ცილების ბიოსინთეზის შესაძლებლობა უჯრედის გარეშე სტრუქტურულად მოდიფიცირებულ რიბოსომებზე („არაენზიმური" *ტრანსლაცია*), აღმოაჩინა ინფორმოსომები. 1976 მიენიჭა ლენინური პრემია. 1972 ს. აირჩიეს გრანადის უნ-ტის საპატიო დოქტორად, ხოლო 1974 — გერმ. საბუნებისმეტყველო აკად. „ლეოპოლდინის" წევრად. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სპირიტიზმი (ფრანგ. spiritisme<ლათ. spiritus — სული, გონი), მისტიკური მიმდინარეობა, რ-ის მიმდევრებს სწამთ მიცვალებულთა სულების არსებობა და შესაძლებლად მიაჩნიათ მათთან კავშირის დამყარება. ს. წარმოიშვა აშშ-ში (XIX ს. შუა ხანა) და მალე ევროპაშიც გავრცელდა. ს. მომდინარეობს ანიმისტური (იხ. *ანიმიზმი*) წარმოდგენებიდან და უკავშირდება სხვადასხვა რელიგ. რწმენას (ბრაჰმანიზმი, ბუდიზმი, ინდუიზმი, ძვ. ეგვ. და ძვ. საბერძნეთის რელიგ. წარმოდგენები და სხვ.) სულის არსებობის შესახებ. სულებთან დაკავშირება შეიძლოთ მხო-

ლოდ რჩეულთ (ქურუმებს, ზოგეებს ან მისნებს, მაგ.: ბერძნ. პითია, რომაული სიბილა), რიტუალი სრულდებოდა ღრმა საიდუმლოებით მოცულ გარემოში. ძვ. პერიოდისაგან განსხვავებით ს-მა მიიღო მასობრივი მისტ. მიმდინარეობის ხასიათი. მისი მიმდევრები ცდილობენ „ექსპერიმენტულად“ დაამტკიცონ სიკვდილის შემდეგ სულის არსებობა. XIX ს. ბოლოსთვის ინგლისსა და აშშ-ში მილიონობით სპირიტი იყო. არსდებოდა სპირიტული ორგანიზაციები, ასოციაციები, რ-ებიც დღესაც მოქმედებენ. ს-ის თეორეტიკოსები იყვნენ ამერ. ა. ჯ. დეივისი და ფრანგი ა. კარდეკი.

ლიტ.: Doyle A. C., History of Spiritualism, v. 1—2, L., 1926.

სპირიტუალიზმი (ფრანგ. spiritualisme < ლათ. spiritualis — სულიერი, გონითი), 1. ობიექტურ-იდეალისტური მოძღვრება, რ-იც გონს მიიჩნევს სამყაროს სუბსტანციად. სპირიტუალისტების შეხედულებით, სხეულში არსებობს მისი სულიერი საფუძველი, რ-იც მისგან დამოუკიდებელი და თავისთავადია. ტერმ. „ს.“ პირველად შემოიტანა ვ. *კუზენმა*. შემდგომ ამ სახელით აღნიშნავდნენ მრავალ მიმართულებას, განსაკუთრებით ფრანგ. და ინგლ. ფილოსოფიაში. მაგრამ ს. ჯერ კიდევ ანტ. ხანაში წარმოიშვა. იგი დამახასიათებელია ძვ. და ახ. ეროს ყველა იმ მოძღვრებისათვის, რ-ებიც გონის სუბსტანციურობას აღიარებენ. ამიტომ ს. ყოველი ობიექტურ-იდეალ. სისტემის სპეციფიკაა. 2. ბურჟ. ფილოსოფიაში ხშირად ტერმ. „ს-ს“ ხმარობენ საერთოდ იდეალიზმის აღსანიშნავად.

ჯ. ერქომაიშვილი.

სპირიჩუელზი (ინგლ. spiritual — სასულიერო, რელიგიური), ამერიკელი ზანგების ფოლკლორის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი, სასულიერო სიმღერები. აღმოცენდა აშშ-ის სამხრ. შტატებში. ს. ძირითადად ბიბლ. სახეებზეა აგებული, მაგრამ მისადაგებულია თანამედროვე ცხოვრების ყოველდღიურობასთან. ს-ს აქვს თავისებური კილო (პენტატონიკა, ექვსსაფეხურიანი კილო, მაჟორულ და მინორულ ტერციათა შორის რხევა და სხვ.) და რიტმიკა (სინკოპირება). ს-ს ახასიათებს სულიერ განცდათა პოეტური, გულწრფელი გამოხატვა. თავდაპირველად სრულდებოდა გუნდურად (ა კაპელა).

სპიროგირა (Spirogyra), ძაფისებრი მწვანე წყალმცენარეების გვარი *კონიუგატების* ქვეგანყოფილებისა. ს-ის ძაფები შედგება უჯრედების ერთი რიგისაგან. უჯრედები შეიცავენ ქლოროპლასტების ერთ ან რამდენიმე სპირალურ თასმას, მრავლდებიან ვეგეტატიურად და სქესობრივად (იხ. *კონიუგაცია*). 200-მდე სახეობა გავრცელებულია მტკნარ დამდგარ და მდორე წყლებში. წყლის ზედაპირზე ქმნიან გროვებს.

სპიროქეტები (ბერძნ. speira — კლაკნი, ხვია და chaitē—თმა), ბაქტერიები, რ-თა უჯრედებს სპირალისებურად ხვეული ფორმა აქვთ (დიამეტრი 0,1—0,6, სიგრძე — 5—500 *მკმ*). ს-ს არა აქვთ შოლტები, ახასიათებთ გველისებური მოძრაობა, რ-ის დროსაც უჯრედები მოძრაობენ თავისი გრძივი ღერძის გარშემო. მრავლდებიან განივი დაყოფით. ცნობილია არაპათოგენური, წყალსატევების მტკნარ წყალში მობინადრე ს. და პათოგენური ს., რ-ებიც პარაზიტობენ მოლუსკებში, აგრეთვე იწვევენ ადამიანის ათაშანგს (Treponema pallidum), ევრ. შებრუნებით ტიფსა და სხვა *სპიროქეტოზებს*. ხელოვნურ პირობებში არაპათოგენური ს. იზრდებიან ჩვეულებრივ საკვებ ნიადაგებზე, პათოგენური ს. კი ისეთებზე, რ-ებიც შეიცავენ შრატს და ცხოველთა ახ. ქსოვილების ან შინაგანი ორგანოების ნაჭრებს. ჯერ ჯერ შესძლეს ს-ის ზოგიერთი ფორმის ლაბორ. პირობებში გაზრდა.

სპიროქეტოზი, ადამიანისა და ცხოველების ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად განსხვავებულ დაავადებათა ჯგუფი, რ-საც იწვევენ პათოგენური *სპიროქეტები*. განარჩევენ ნაწლავის (ლეპტოსპიროზები, გავრცელებულია ყველგან), სასუნთქი გზების (გავრცელებულია უმეტესად ტროპ. ქვეყნებში), სისხლის (ტილის კბენით გამოწვეული შებრუნებითი ტიფი, ტკიპისმიერი შებრუნებითი ტიფები — ბუნებრივ-კერაოვანი ინფექციები), გარე საფარველის (ათაშანგი, ფრამბეზია, პინტუ და სხვ.) ს-ს. ს-ების ჯგუფში შედის აგრეთვე *სოდოკუ* და სპიროქეტებისა და ბაქტერიების ასოციაციებით გამოწვეული დაავადებანი (წყლულოვანი სტომატიტი, სიმანოვსკი-ვენსანის ანგინა და სხვ.).

ფრინველის ს., შინაური და გარეული ფრინველის ინფექციური დაავადება, რ-ისთვისაც დამახასიათებელია ცხელება, დაუძლურება, მოძრაობის ორგანოების პარეზი. იწვევს სპიროქეტა (anserinym Spirochaeta). დაავადების დროს ფრინველთა 80% იღუპება, ს-ით ავადდებიან კურდღლებიც. მკურნალობა: ოსარსოლი, ანტიბიოტიკები. პროფილაქტიკა: ფრინველთა ვაქცინაცია, ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლა.

სპირტი (ალკოჰოლი), ნახშირწყალბადთა ნაწარმი, რ-იც შეიცავს ნაჯერ ნახშირბადატომთან მიერთებულ ერთ ან რამდენიმე ჰიდროქსილის ჯგუფს (—OH). ნაერთებს, რ-ებშიც OH-ჯგუფი დაკავშირებულია არომატულ რგოლთან, უწოდებენ ფენოლებს, ხოლო თუ ნახშირბად-ნახშირბადის ორმაგ ბმასთან — ენოლებს.

ნახშირწყალბადის რადიკალის მიხედვით ს. შეიძლება იყოს აციკლური, ანუ ალიფატური (მაგ., მეთილის სპირტი, *ეთილის სპირტი*, ალილის სპირტი), ალიციკლური (ციკლოჰექსანოლი), ცხიმოვან-არომატული (*ბენზილის სპირტი*) და ჰეტეროციკლური. მოლეკულაში OH-ჯგუფების რაოდენობის მიხედვით ს. შეიძლება იყოს ერთატომიანი (ალკოჰოლი), ორატომიანი (*გლიკოლები*), სამატომიანი (*გლიცერინი*), ოთხატომიანი (პენტაერითრიტი) და მრავალატომიანი (ქსილიტი, ჰექსიტი და ა. შ.). OH-ჯგუფები შეიძლება იყოს დაკავშირებული პირველად (—CH_2OH), მეორეულ (>CHOH) და მესამეულ (>COH) ნახშირბადატომთან, რის მიხედვითაც განასხვავებენ პირველად, მეორეულ და მესამეულ ს-ს. ს-ის სახელწოდება ჩვეულებრივ დაკავშირებულია ნახშირწყალბადური რადიკალის სახელწოდებასთან. მაგ., მეთილის ს. (CH_3OH), ეთილის ს. (C_2H_5OH), პროპილის ს. (C_3H_7OH) და ა. შ. ჟენევის ნომენკლატურით რადიკალის სახელწოდებას ემატება დაბოლოება „ოლი“ (ან დიოლი, ტრიოლი და ა. შ.), ციფრით ნაჩვენებია ნახშირბადატომის ნომერი, რ-თანაც მიერთებულია OH-ჯგუფი, მაგ., CH_3—CH(OH)—CH_3 (პროპანოლ-2), $HOCH_3$—CH_2—CH_2—CH_2OH (ბუტანდიოლი — 1,4). ზოგჯერ იხმარება ს-ის ტრივიალური სახელწ., მაგ. ხის ს. (მეთანოლი), ღვინის ს. (ეთანოლი) და სხვ. ალიფატური რიგის ერთატომიანი ს. უფერული სითხეა, მაღალი რიგის ს. (C_{12}-იდან დაწყებული) კი მყარი ნივთიერებაა. C_1—C_3 რიგის ს-ს ალკოჰოლის სუნი და მწვავე გემო აქვს, C_4—C_5-ს მხუთავი სუნი, უმაღლესი ს. კი უსუნოა. უმარტივესი გლიკოლი და გლიცერინი ბლანტი სითხეებია. ს. კარგად იხსნება ორგ. გამხსნელებში, თვითონაც კარგი გამხსნელია. დაბალი რიგის ს. წყალში კარგად იხსნება, მაღალი რიგისა — უხსნარია. ს-ის ქიმ. თვისებები განპირობებულია OH-ჯგუფით; ს. ლითონებთან წარმოქმნის ალკოჰოლატებს (მაგ. C_2H_5ONa). მჟავებთან — რთულ ეთერებს. პირველადი ს. ჯერ ალდეჰიდად იჟანგება, შემდეგ—კარბომჟავად, მეორეული ს. კი — კეტონად. ს. ადვილად კარგავს წყალს და წარმოქმნის მარტივ ეთერებსა და ოლეფინებს. ს. ძირითადად მიიღება ჰალოგენალკილების ჰიდროლიზით; ალდეჰიდების, კეტონების, კარბომჟავებისა და რთული ეთერების აღდგენით; ალკენების ჰიდრატაციის შედეგად მიღებული ნაერთის შემდგომი დაჟანგვით და სხვ. *ეთილის სპირტს* ღებულობენ შაქრის ფერმენტული დულილით. ს-ს ფართოდ იყენებენ სინთეზური ბოჭკოს, პლასტმასების, საღებრების, ლაქ-საღებავებისა და სხვათა წარმოებაში, კვების მრეწველობაში და სხვ.



ა. სპირინი.

ლიტ.: Несмеянов А. Н., Несмеянов Н. А., Начала органической химии, т. 1—2, М., 1969—70.

სპირტსაზომი, იხ. სტ. *არეომეტრი*.

სპირტული დუღილი, ალკოჰოლური დუღილი, მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედების შედეგად ნახშირწყლების ეთილის სპირტად და ნახშირორჟანგად გარდაქმნის პროცესი. ს. *დ. მიშკინმა* დაადგინა სპირტის დულილის ძირითადი, მეორეული და გარეშე პროდუქტების მეტაბოლიზმის გზები და რბემჟავას გენეზისი. ს. დ. ფართოდ გამოიყენება კვებისა და ე. წ. სპირტის მრეწველობაში. იხ. აგრეთვე *დულილი*.

სპიცინი ვიქტორ ივანეს ძე [დ. 12 (25). IV. 1902, მოსკოვი], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958). სოციალ. შრომის გმირი (1969), სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1922), 1942-იდან პროფესორი იქვე, 1942—48 პრორექტორი. 1949-იდან მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. ქიმ. ინ-ტში (1953-იდან დირექტორი). ს-ის ძირითადი შრომები ეძღვნება იშვიათი ელემენტების, კომპლ. ნაერთების, ლანთანოიდების, პლატინის ჯგუფის ლითონებსა და სხვ. ქიმ. საკითხებს. ს-მა თანამშრომლებთან ერთად მიიღო შვიდვალენტოვანი Np, Pu და Am ნაერთები და შეისწავლა მათი თვისებები. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.



ვ. სპიცინი.

თხზ.: Методы работы с применением радиоактивных индикаторов, М., 1955 (თანაავტ.).

სპლენომეგალია (ბერძნ. splēn — ელენთა და megas, ნათ. ბრ. megalos — დიდი), ელენთის გადიდება. აღინიშნება უმეტესად ქრონიკული ჰეპატიტის, ღვიძლის ციროზის, თვით ელენთის დაავადებების (სიმსივნე, ცისტა, აბსცესი), საერთო ინფექციების (სეფსისი, მალარია, მუცლისა და პარატიფიანი ტიფი, ქვემწვავე ბაქტერიული ენდოკარდიტი, ვისცერალური ლეიშმანიოზი), სისხლის დაავადებებს (ლევკოზი, ლიმფოგრანულომატოზი, ჰემოლიზური ანემია) და სხვ. დროს. ელენთის გამოკვლევა უმეტესად ტარდება ხელით — პალპაციით (ნორმალური სიდიდის ელენთა არ ისინჯება). ზოგჯერ ს. სისხლის დაავადების პირველი გამოვლინებაა; ასეთ შემთხვევაში მიმართავენ დიაგნოსტიკურ პუნქციას. ს-ის დროს ტარდება ინსტრუმენტული გამოკვლევებიც — ელენთის რადიოიზოტოპური *სკანირება*, სპლენოპორტოგრაფია და სხვ. მკურნალობა: გამა-სხივებით დასხივება; კორტიკოსტეროიდები; ს-ის გამომწვევი ძირითადი დაავადების ლიკვიდაცია. უკიდურეს შემთხვევაში — ელენთის ამოკვეთა — სპლენექტომია.

ვ. ალადაშვილი.

სპლიტი (Split), ქალაქი და ნავსადგური იუგოსლავიაში, ხორვატიის სრ-ში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. 169,3 ათ. მცხ. (1981). ტვირთბრუნვით მეორე ადგილზეა ქვეყანაში (რიეკის შემდეგ), მგზავრთბრუნვით — პირველზე. ახლომდებარე დასახლ. პუნქტებთან ერთად ქმნის იუგოსლ. დიდ სამრეწვ. კვანძს.



სპლიტი. დიოკლეტიანეს მავზოლეუმი (დაახლ. 300; VII ს-იდან ტაძარი; სამრეკლო XIII—XIV სს.).



სპონგილასებრნი. სპონგილა.

გემთმშენებლობა, ცემენტის, ქიმ., კვების, საფეიქრო მრეწველობა. ჰქონ. ბიოლ.-ოკეანოგრაფიული სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. საზღვ., არქეოლ., ეთნოგრ. და სხვა მუზეუმ.ბი. ხელოვნ. გალერეა, ი. *მეშტროვიჩის* გალერეა. ტურიზმის ცენტრი და ზღვისპირა კურორტი.

არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია დიოკლეტიანეს ძვ. რომაული სასახლე (დაახლ. 300), რ-ის კომპოზიციას საფუძვლად უდევს სამხ. ბანაკის დაგეგმარება. კომპლექსის შიგნით განლაგებული იყო ადმ. და სამეურნეო ნაგებობანი, დიოკლეტიანეს მავზოლეუმი და იუპიტერის ტაძარი (შუა საუკუნეებში ერთი ტაძრად გადაკეთეს, მეორე — ბაპტისტერიუმად). შუა საუკუნეებში განაშენიანებულ ნაწილში (კომპლექსის შიგნით და სასახლის დას-ით) შემორჩენილია გოტიკის, რენესანსისა და ბაროკოს სტილის ხუროთმოძღვრების ძეგლები.

სპოკეინი (Spokane), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში, ვაშინგტონის შტატში, მდ. სპოკენის (კოლუმბიის შენაკადი) ჭორომებთან. 171 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 341 ათ. (1981). სარკინიგზო კვანძი. ფერადი მეტალურგია, ქიმ., ცელულოზის, აგრეთვე ხის დასამუშ., კვების, ელექტროტექ. მრეწველობა. პესი. უნ-ტი. 1974 ს-ში ჩატარდა ბუნების დაცვის პრობლემისადმი მიძღვნილი მსოფლიო გამოფენა (მონაწილეობდა აშშ, ესრკ და სხვა ქვეყნები).

სპონგილასებრნი (Spongillidae), უხერხემლო ცხოველების ოჯახი ღრუბლების ტიპისა. ცხოვრობენ მტკნარ წყალში, ფსკერზე, მიმაგრებული არიან სუბსტრატზე. ს. ფერად მწვანე, მოყვითალო ან მურაა. მათი ჩონჩხი შედგება კაჟოვანი ნემსებისაგან, რ-ებიც ერთიმეორესთან შეერთებული არიან ორგ. ნივთიერებით — სპონგინით (აქედანაა ოჯახის სახელწოდებაც). ს. გავრცელებული არიან მთელ მსოფლიოში. მრავლდებიან როგორც სქესობრივად, ისე დაკვირტვით. ხალხ. მედიცინაში გამხმარ ს-თა ფხვნილს რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებენ.

ა. ჯანაშვილი.

სპონდე (ბერძნ. spondeios), ანტიკურ (ძვ. ბერძნულ, კვანტიტატიურ) ლექსთწყობაში — ორი გრძელი მარცვლისაგან შედგენილი ტერფი (— —); სილაბურ-ტონურ მეტრიკაში — ორმახვილიანი ტერფი (— —), რ-ითაც ასახულია ქორეული ან იამბური იმპულსის მქონე ტაეპის გადატვირთვა ზესქემური (მეტრისგარეშე) მახვილით. ქართ. ლექსის პროსოდიულ სქემებში ს., როგორც წესი, არ არის.

სპონდილიტი (<ბერძნ. spondylos — მალა), ადამიანის ხერხემლის ქრონიკული ანთებითი დაავადება. უმეტეს შემთხვევაში ს-ის მიზეზია ტუბერკულოზი, უფრო იშვიათად — სხვა ინფექცია (სტაფილოკოკური, ათაშანგური და სხვ.).

ტუბერკულოზური ს-ით უფრო ხშირად ავადდებიან ბავშვები 10 წლამდე. უმეტესად ზიანდება გულმკერდის მალები. სისხლის ნაკადით მალის სხეულის ღრუბლისებრ ნივთიერებაში დაავადების გამომწვევის მოხვედრა იწვევს ტუბერკულოზური პროცესის განვითარებას; დაავადების გამწვავებას ხელს უწყობს ტრავმა. მალის სხეულში წარმოიქმნება ტუბერკულოზური გრანულომა, რ-იც თანდათანობით შლის მალის ძვლოვან ნივთიერებას. ჩარქვანნეკროზული მასების ხერხემლის მიმართულებით ქვემოთ ჩამოსვლის შედეგად ვითარდება ნაწვეთი აბსცესი. ტუბერკულოზური ს. ნელი მიმდინარეობით ხასიათდება. დასაწყისში ცვლილებები მხოლოდ რენტგენოლოგიური გამოკვლევებით ვლინდება. დაზიანებულ მალებთან ახლომდებარე ქსოვილებზე პროცესის გადასვლასთან ერთად იწყება ტკივილი, რ-იც მოძრაობისას ძლიერდება. ს-ის დროს ხერხემლის პროგრ. დეფორმაცია *კუზის* გაჩენის უხშირესი მიზეზია. ზურგის ტვინზე ან მისგან გამოსულ ნერვულ ფესვებზე მალების დეფორმირებული სხეულის ზეწოლამ შეიძლება გამოიწვიოს *დამბლა*, ტკივილი ნერვების გაყოლებით და მგრძნობელობის მოშლა. ჩირქმბადი ინფექციით გამოწვეულ ს-ს ახასიათებს მწვავე მიმდინარეობა, მაღალი ტემპ-რა და ინტოქსიკაცია, მაგრამ დაშლის პროცესი მალის სხეულში უფრო ნაკლებად არის გამოხატული, ვიდრე ტუბერკულოზური ს-ის დროს.

ლიტ.: Многотомное руководство по ортопедии и травматологии, т. 1, М., 1967.

სპონდილოზი (<ბერძნ. spondylos—მალა), ადამიანის მალთაშუა ხრტილების ქრონიკული დეგენერაციული დაავადება. ს. შეიძლება განვითარდეს ხერხემლის ტრავმის, ხერხემლის სეტის გადატვირთვის, ნივთიერებათა ცვლის მოშლის (განსაკუთრებით ხანშესულობის ასაკში) და სხვა დროს. პირველადი ცვლილებები ჩნდება მალთაშუა დისკოში, რ-იც კარგავს ელასტიკურობას და სიმკვრივეს, ე. ი. ამორტიზაციის თვისებებს. მალის სხეულის დეფორმაციას (გეერდებზე ეკლისებრი წანაზარდების გაჩენა) თან ახლავს ტკივილი, რასაც იწვევს ნერვულ ფესვზე მალთაშუა დისკოს დაწოლა (იხ. *რადიკულიტი*) და ხერხემლის დაზიანებული ნაწილის მოძრაობის შეზღუდვა. მკურნალობა: ფიზიოთერაპიული პროცედურები, დიეტა, B ჯგ. ვიტამინები, მინისებრი სხეულის ინიექციები; კორსეტის ტარება; *დაჭიმვა*.

სპონტანური გამოსხივება, თავისთავადი გამოსხივება, ელექტრომაგნიტური გამოსხივების თავისთავადი ამოფრქვევა ენერგიის აგზნებულ დონეებზე მყოფი ატომების ან სხვა კვანტური სისტემების მიერ. *ინდუცირებული გამოსხივებისაგან* განსხვავებით, ს. გ. არ არის დამოკიდებული კვანტურ სისტემაზე გარე ელექტრომაგნ. გამოსხივების მოქმედებაზე და მის კანონზომიერებებს განსაზღვრავს მხოლოდ თვით სისტემის თვისებები სხვა ტიპის სპონტანური გარდაქმნების (მაგ., რადიოაქტ. დაშლა, მოლეკულების გარდაქმნა მონომოლეკულური რეაქციების დროს) მსგავსად.

სპორა (ბერძნ. spora — თესვა, ნათესი, თესლი), 1. უმდაბლეს და უმაღლეს მცენარეთა მიკროსკოპული, ჩვეულებრივ ერთუჯრედიანი, იშვიათად ორ- ან რამდენიმეუჯრედიანი სტრუქტურა, რ-იც გამრავლებას ემსახურება. ბევრი მცენარის ს-ს აქვს რთული აღნაგობის გარსი (იხ. *სპოროდერმა*), შეიცავს საკვების მარაგს და ხანგრძლივად ინარჩუნებს გაღივების უნარს.

უმდაბლესი მცენარეების ს-ის სახელწოდება გამოხატავს აგებულების (მაგ., შოლტიანი ზოოსპორები და უშოლტო აპლანოსპორები), მოძრაობილობის (სტილოსპორები), ზრდისა (აუქსოსპორები) და განვითარების ადგილის (ენდო- და ეგზოსპორები) თავისებურებებს, ერთი სპორანგიუმის ფარგლებში ს-ების რაოდენობას (მონო- ან ტეტრასპორები), სქესობრივი პროცესის ტიპს, რ-ის შედეგადაც ეს ს-ები წარმოიქმნება (ოო- და ზიგოსპორები), წარმოქმნის ადგილს (სპორანგიო-, კარპო-, ასკოსპორები და სხვ.).

არსებობს ს-ების 3 ჯგუფი: ა) გამეტების შერწყმის შედეგად წარმოქმნილი დიპლოიდური ზიგოტა ანდა მრავალბირთვიანი გამეტანგიუმების შეერთებით წარმოქმნილი სინზიგოტა; ბ) მიტოსპორა, რ-იც უშუალოდ მეიოზის შედეგად არ წარმოიქმნება, უმეტესად ჰაპლოიდურია, ზოგჯერ დიპლოიდური; გ) ჰაპლოიდური მეიოსპორები, წარმოქმნილია მეიოზის ან მეიოზის შემდგომი ერთი-ორი მიტოზური დაყოფის შედეგად.

უმაღლეს მცენარეებს მხოლოდ მეიოსპორები აქვთ; წარმოიქმნება სპორანგიუმებში. ს-ებიდან ვითარდება გამეტოფიტები. ხავსებისა და გვიმრანაირების ს-ები ცვრცელდება ქარის, იშვიათად წყლის საშუალებით. ტოლსპორიანი გვიმრანაირების უმეტესობას ერთი სახის ს. აქვს და მისგან განვითარებული გამეტოფიტი (წინაზრდილი) ორსქესიანია. განსხვავებულსპორიანი (ჰეტეროსპორული) მცენარეების (ზოგიერთი გვიმრანაირი და ყველა თესლოვანი მცენარე) ს. ორგვარია: პატარა მიკროსპორა (მისგან ვითარდება მამრობითი წინაზრდილი) და დიდი ზომის მეგასპორა (ვითარდება მდედრობითი წინაზრდილი). თესლოვანი მცენარეების ს-ები არ გამოიფანტება, წინაზრდილი ვითარდება სპორანგიუმებშივე. ამასთანავე, მიკროსპორანგიუმში მიკროსპორებიდან განვითარებული მამრობითი წინაზრდილები — მტვრის მარცვლები მომწიფების მერე გარეთ გამოიფანტება, ხოლო მეგასპორადან განვითარებული მდედრობითი წინაზრდილები (პირველადი ენდოსპერმი შიშველთესლოვანებში და ჩანასახის პარკი ფარულთესლოვანებში) მეგასპორანგიუმებშივე რჩება.

2. პარაზიტული უმარტივესების ს. ერთ- ან მრავალუჯრედიანია, სქელგარსიანი. ემსახურება გავრცელებას და არახელსაყრელი გარემო პირობების გადატანას. სხვადასხვა უმარტივესი ორგანიზმის ს-ის განვითარება და აგებულება სხვადასხვაა.

გ. ღვალაძე.

სპორანგიუმი (*სპორა* და ბერძნ. angeion — ჭურჭელი, სათავსი). ერთუჯრედიანი (ბევრი უმდაბლესი მცენარის) ან მრავალუჯრედიანი (უმაღლესი მცენარეების) ორგანო, რ-შიც სპორები წარმოიქმნება. ზოგიერთი ერთუჯრედიანი მწვანე წყალმცენარის სხეული მთლიანად გარდაიქმნება ს-ად. მრავალუჯრედიანი წყალმცენარეების, მაგ., ულოტრიქსის, ულვას ს-ებად გარდაქმნილი უჯრედები არაფრით არ განსხვავდებიან სხვა უჯრედებისაგან.

ხავსების ს. კოლოფის სახისაა, გვიმრანაირებისა ვითარდება *სპოროფილებზე* ან მათ უბეებში. ს. ერთიულია ან შეგროვილია ჯგუფებად (*სორუსებად*), თავისუფალი ან შეზრდილია. ტოლსპორიანი გვიმრანაირები ივითარებენ ერთი სახის ს-ებს (წარმოქმნილი სპორებისაგან შემდგომში ორსქესიანი წინაზრდილი ვითარდება). განსხვავებულსპორიანები კი 2 სახის ს-ებს — მიკრო- და მეგასპორანგიუმებს და, შესაბამისად, — მიკრო- და მეგასპორებს; მიკროსპორისაგან ვითარდება მამრობითი, მაკროსპორისაგან — მდედრობითი წინაზრდილი. *ზ. კაჭარავა.*

სპორებისა და მტვრის ანალიზი, კვლევის ბოტანიკური მეთოდი, რ-იც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მცენარეთა ტაქსონომიური კუთვნილება სპორისა და მტვრის მარცვლის მორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით. ს. და მ. ა-ს იყენებენ არქეოლოგიაში, მედიცინაში, განსაკუთრებით ცეოლოგიაში, გეომორფოლოგიასა და პალეოგეოგრაფიაში, სადაც კვლევის ობიექტებად იყენებენ დანალექ ქანებს, ტორფს, საპროპელს და ა. შ. მათგან სპეც. დამუშავების შედეგად გამოიყოფა განამარხებული სპორა და ყვავილის მტვერი. ნიმუშებში მტვრის მარცვლისა და სპორის სიუხვე საშუალებას იძლევა განისაზღვროს არა მარტო მათი ტაქსონომიური კუთვნილება, არამედ სპორისა და მტვრის მარცვლის პროცენტული შეფარდებებიც. ამ მეთოდით შეიძლება წარსულში ამა თუ იმ ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და მცენარეულობის თავისებურების დადგენა. იხ. აგრეთვე *პალინოლოგია*. *ლ. გოგიჩაიშვილი.*

სპორიანები, სპოროზოა (Sporozoa), პარაზიტული *უმარტივესების* კლასი. აერთიანებს 2000-მდე სახეობას. ახასიათებთ თაობათა მორიგეობა და უსქესო

და სქესობრივი გამრავლება. ს-ის ასიმილაციური ციკლის ძირითადი ეტაპებია *მიზოგონია*, გამოგონია (გამეტების წარმოქმნა და განაყოფიერება) და სპოროგონია (*ზიგოტისაგან* სპორებისა და სპოროზოიტების წამოყალიბება). პარაზიტობენ უჯრედებში, ქსოვილებში და ცხოველებისა და ადამიანის სხეულის სისრულეებში. ს-ს ახასიათებთ ე. წ. ზიგოტური რედუქცია: სპოროგონიის დროს ზიგოტის ბირთვის პირველი დაყოფა მეიოზურია (იხ. *მეიოზი*), ყველა დანარჩენი სტადია — ჰაპლოიდური. ს. გარემოში ვრცელდებიან ოოცისტების საშუალებით. ზოგ ს-ს ერთი მასპინძელი ჰყავს, ზოგს — ორი (ერთ-ერთ მათგანში მიმდინარეობს უსქესო გამრავლება, მეორეში — სქესობრივი პროცესი და სპოროგონია). ს. შეიცავენ *გრეგარინებს* და კოქციდიომორფებს (იხ. *კოქციდიები* და *ჰემოსპორიდიები*).

სპოროგენეზი, *სპორების* განვითარების პროცესი. პროკარიოტულ მცენარეებში (რ-თა უჯრედებს ტიპური ბირთვი არა აქვთ) სპორად გადაიქცევა მთელი უჯრედი, რ-შიც გროვდება ნივთიერებები და გარედან იფარება სქელი გარსით; სპორები წარმოიქმნება აგრეთვე პროტოპლასტის ან მიცელიუმის განსაკუთრებული უბნების დანაწევრებით. ეკარიოტულ მცენარეებს (რ-თა უჯრედებს ტიპური ბირთვი აქვთ) 3 სახის სპორა აქვთ (ოო-, მიტო- და მეიოსპორა) და, ამდენად, განარჩევენ ოო-, მიტო- და მეიოსპოროგენეზს. ო ო ს პ ო რ ო გ ე ნ ე ზ ი დაკავშირებულია განაყოფიერებასა და ბირთვული ფაზების მორიგეობასთან. წარმოიქმნება ოო-, აუქსო- და ზიგოსპორები, რ-ებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ ერთ- ან მრავალბირთვიან ზიგოტას. მ ი ტ ო ს პ ო რ ო გ ე ნ ე ზ ი ს ას ერთუჯრედიან მიტო- ან მონოსპორანგიუმებში მიტოზური დაყოფით წარმოიქმნება ჰაპლოიდური, იშვიათად დიპლოიდური უჯრედები, ან დაყოფის გარეშე — მონოსპორები. ბირთვული ფაზების მორიგეობა არ ხდება. მ ე ი ო ს პ ო რ ო გ ე ნ ე ზ ი დაკავშირებულია განვითარების ციკლში დიპლო- და ჰაპლოფაზის მორიგეობასთან. უმდაბლეს მცენარეებში მეიოსპორები წარმოიქმნება უშუალოდ მეიოზის ან მეიოზის შემდგომი მიტოზური დაყოფის შედეგად. იზო- და ჰეტერომორფული განვითარების ციკლის მქონე წყალმცენარეებში მეიოსპოროგენეზი მიმდინარეობს ერთუჯრედიან მეიოსპორანგიუმებში. მეიოზის შემდგომი 2—5 მიტოზის შედეგად წარმოიქმნება 4 ან 16—128 მეიოსპორა. ჩანთიანი სოკოების სპორანგიუმებში მეიოზის შედეგად წარმოქმნილი 4 ბირთვი იყოფა მიტოზურად და წარმოიქმნება 8 ენდოგენური მეიოსპორა (ასკოსპორა). ბაზიდიომიცეტებში მეიოზის შედეგად წარმოქმნილი 4 ჰაპლოიდური ბირთვი გადაადგილდება ბაზიდიუმის სპეც. გამონაზარდებში, რ-ებიც ბაზიდიოსპორების სახით სცილდება ბაზიდიუმს. უმაღლესი მცენარეების მრავალუჯრედიან სპორანგიუმებში წარმოიქმნება მხოლოდ მეიოსპორები. არქესპორიუმის უჯრედებიდან თავდაპირველად წარმოიქმნება ე. წ. სპოროციტები, რ-ებიც მეიოზის შედეგად წარმოქმნიან 4 სპორას (ტეტრადას). გვიმრანაირების უმეტესობის სპორები ერთნაირია და მათგან განვითარებული წინაზრდილი ორსქესიანია, განსხვავებულსპორიან გვიმრანაირებსა და თესლოვან მცენარეებში მიკროსპოროგენეზი მიმდინარეობს მიკროსპორანგიუმში და წარმოიქმნება დიდი რაოდენობით მიკროსპორები, რ-ებიც საწყისს აძლევენ მამრობით წინაზრდილებს; მეგასპორანგიუმებში მეგასპოროგენეზისას წარმოიქმნება ნაკლები რაოდენობით მეგასპორები, რ-თაგანაც მდედრობითი წინაზრდილები ვითარდება.

გ. ღვალაძე.

სპოროგონიუმი (*სპორა* და ბერძნ. *gonos* — ღაბადება, ნაყოფი); ხავსების სპოროფიტი — უსქესო თაობა. შედგება კოლოფის, ფეხისა და მისაწყვრისაგან, რითაც იგი ჩაზრდილია *გამეტოფიტის* (სქესიანი თაობის) ქსოვილებში და იქიდან საზრდოობს. ზოგი ს-ის ხავსის ფეხი და კოლოფი მწვანეა და აქვს უნარი ფოტოსინთეზის გზით გამოიმუშაოს საჭირო ორგ. ნივთიერების ნაწილი. ს. წარმოიქმნება მდედრობით ორგანოში — არქეგონიუმში მოთავსებული ზიგოტიდან. კოლოფში არქესპორული უჯრედებისაგან მეიოზური გაყოფის შედეგად ვითარდება სპორები.

სპოროდერმა (*სპორა* და ბერძნ. derma — კანი, გარსი), სპორის (თესლოვან მცენარეთა მტვრის მარცვლის) გარსების ერთობლიობა. სპორის ს-ში გამოყოფენ ენდოსპორიუმს, ეგზოსპორიუმსა და ზოგჯერ პერისპორიუმს; მტვრის მარცვლებსაც, შესაბამისად, აქვს ინტინა, ეგზინა და ზოგჯერ პერინა. ე ნ დ ო ს პ ო რ ი უ მ ი (ი ნ ტ ი ნ ა) შეიცავს გარსია, შედგება ცელულოზისა და პექტინოვანი ნივთიერებებისაგან, წარმოიქმნება პროტოპლასტისაგან. ე გ ზ ო ს პ ო რ ი უ მ ი (ე გ ზ ი ნ ა) გარეთა გარსია, ვითარდება ინტინაზე ადრე. პროტოპლასტი წარმოქმნის სტრუქტურულ ჩონჩხს — პრიმეგზინას, რ-საც შემდეგ შემოეკვრება სპეციფ. ნივთიერებები — სპოროპოლენინები. პ ე რ ი ს პ ო რ ი უ მ ი (პ ე რ ი ნ ა) გარსია, რ-საც წარმოქმნის პერიპლაზმოდიუმი ეგზინის ზედაპირზე.

სპოროვანი ბაქტერიები, ჩხირისებრი ბაქტერიები (ოჯახი Bacillaceae, გვარები Bacillus, Sporosarcina, Clostridium და Desulfotomaculum), რ-ებიც არახელსაყრელ პირობებში წარმოქმნიან სპორებს. სპორა მდგრადია გარემოს იმ ფაქტორებისადმი, რ-ებიც დამღუპველად მოქმედებენ ბაქტერიული უჯრედის ნორმალურ (ვეგეტატიურ) ფორმაზე. ს. ბ-ის უმეტესობა საპროფიტებია. გავრცელებულია ნიადაგში, წყალსა და ჰაერში. გვხდება ფეხსახსრიანების, ხერხემლიანებისა და ადამიანის პათოგენური ფორმები (B. anthracis) ადამიანის ორგანიზმში იწვევენ ჯილეხს, Cl. tetani — ტეტანუსს, Cl. botulinum — კვებით ინტოქსიკაციას, Cl. novyi და Cl. septicum — აირიანი განგრენას და სხვ.

ჯ. ჯეჯელავა.

სპოროვანი მცენარეები, მცენარეები, რ-ებიც ძირითადად მრავლდებიან და ვრცელდებიან სქესობრივი ან უსქესო გზით წარმოქმნილი სპორებით. ბევრ ს. მ-ში (მაგ., ბაქტერიები) სპორები ემსახურება არახელსაყრელი პირობების გადატანას. ზოგ ს. მ-ში (მაგ., მღიერები) სპორები იშვიათად წარმოიქმნება, გამრავლებას კი, ჩვეულებრივ, ემსახურება სხეულის ნაწილები. ს. მ-ს ყოფენ უმდაბლეს (წყალმცენარეები, ბაქტერიები, სოკოები, მღიერები) და უმაღლეს (გვიმრანაირები, შვიტები, ლიკოპოდიუმები და ზოგი ნამარხი მცენარე) ს. მ-ად.

სპოროკარპიები (*სპორა* და ბერძნ. karpōs — ნაყოფი), სპორების შემცველი წარმონაქმნები წყლის გვიმრებში. სალვინიის ს. წარმოადგენს წყალში ჩაძირული ფოთლის სეგმენტზე მჯდომარე მიკრო- ან მაკროსპორანგიუმების სორუსს, რ-იც გარემოცულია ორმაგი ინდუზიუმით. ს. ფოთოლს სცილდება და იხსნება ინდუზიუმის დალპობის შედეგად. მარსილეას ს. სორუსების ჯგუფია, რ-იც შედგება მიკრო- და მეგასპორანგიუმებისაგან. ს-ის კედელი წარმოქმნილია ფოთლის სპორათმტარებელი სეგმენტის ორი ფოთოლაკის შეზრდის შედეგად. ს. ფოთოლაკების შეზრდის ადგილას იხსნება და სპორები თავისუფლდება.

გ. ღვალაძე.

სპოროფილი (*სპორა* და ბერძნ. phyllon — ფოთოლი), გვიმრანაირების ან თესლოვანი მცენარეების ფოთოლი, რ-ზეც ან რ-ის უბეშიც ვითარდება *სპორანგიუმი*. წყლის გვიმრებში მიკრო- და მეგასპორანგიუმები წარმოიქმნება ერთსა და იმავე სპოროფილზე — *სპოროკარპიუმებში*. განსხვავებულსპორიან მცენარეებს აქვთ მიკროსპოროფილები (ვითარდება მხოლოდ მიკროსპორანგიუმები) და მეგასპოროფილები (ვითარდება მხოლოდ მეგასპორანგიუმები). თესლოვან მცენარეებში მიკრო- და მეგასპოროფილები მკვეთრად განსხვავდება ტროფოფილებისაგან — სასიმილაციო ფოთლებისაგან.

გ. ღვალაძე.

სპოროფიტი (*სპორა* და ბერძნ. phyton — მცენარე), უსქესო დიპლოიდური (შეიცავს ქრ.მოსომთა ორმაგ რაოდენობას) თაობა მცენარეებისა, რ-თა განვითარების ციკლიც ხასიათდება თაობათა მორიგეობით. ს-ზე წარმოიქმნება სპორანგიუმი, რ-შიც მეიოზის შედეგად ყალიბდება სპორები. ს-ს ენაცვლება სპორიდან წარმოქმნილი ჰაპლოიდური გამეტოფიტი — სქესიანი თაობა, რ-ზეც ვითარდება მდედრობითი და მამრობითი სასქესო ორგანოები. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი — ზიგოტა — საწყისს აძლევს ს-ს. მცენარეთა სხვადასხვა ჯგუფში ს. წარმოდგენილია სხვადასხვაგვარად. ს. დომინირებს გამეტოფიტზე შიშველ- და ფარულთესლოვანებში, აგრეთვე გვიმრანაირებსა და ლამინარიასნაირ წყალმცენარეებში. ხავსებისა და ზოგიერთი წაბლა წყალმცენარის განვითარების ციკლში ს-ს დაქვემდებარებული მდგომარეობა აქვს. მცენარეებში, რ-თაც განვითარების იზომორფული ციკლი ახასიათებთ, ს. და გამეტოფიტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და ერთნაირად არიან განვითარებული. იზოსპორიიდან ჰეტეროსპორიაზე გადასვლამ განაპირობა თესლების წარმოქმნა და მცენარეთა უფრო სრულყოფილ, თესლით გამრავლებაზე გადასვლა.

გ. ღვალაძე.

სპოროციტი (*სპორა* და ბერძნ. kystis — ბუშტი), 1. ზოგი ერთუჯრედიანი ცხოველის (*კოქციდიებისა* და *გრეგარინების*) განვითარების სტადია. ს-ში ვითარდებიან ჩანასახები — სპოროზოიტები. 2. *დიგენეზური მწოველების* (ტრემატოდების) პირველი პარაზიტული თაობა. ს. ტომრისებრი ან მილისებრი ფორმისაა. ზოგს აქვს გამოყოფის ორგანოები — პროტონეფრიდიები. ს-ის სხეულის ღრუში საჩანასახე უჯრედებისაგან ჩვეულებრივ ვითარდება შემდგომი პარაზიტული თაობა — რედიები, ზოგიერთ სახეობაში კი — ს-ის კიდევ ერთი თაობა.

სპორტი [ინგლ. sport (შემოკლ.)<dis-port — თამაში, გართობა], ფიზიკური ვარჯიშების სხვადასხვა კომპლექსში სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა და შეჯიბრებათა ჩატარების ორგანიზაციის სისტემა; ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი. ძირნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებასა და საერთო ფიზ. განვითარებასთან ერთად შეჯიბრებებში მაღალი შედეგების მიღწევას და გამარჯვების მოპოვებას.

სსრკ-ში ს. სათავეს იღებს ს-ის ხალხ.-ეროვნ. სახეობებიდან. ისტ. მოვლენათა ცვლამ, ტექ. განვითარებამ თავისი კვალი დაამჩნია ს-ს, გაიზარდა მისი გეოგრაფია, იგი გასცილდა ფიზ. აღზრდის ფარგლებს, მის პროგრამაში შევიდა *ჭადრაკი, შაში*, ს-ის გამოყენებითი და ტექ. სახეობანი. სპორტსმენთა რიგები ყოველწლიურად იცვლება ახალ-ახალი კადრებით, იზრდება მათი მიღწევები, მატულობს ტექ. უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სპორტ. ბაზების რაოდენობა და სხვ. იხ. სტატიები ს-ის სხვადასხვა სახეობაზე (მაგ., *მძლეოსნობა, ცხენოსნობა*); *სპორტული თამაშები* (მაგ., *კალათბურთი, ფეხბურთი, წყალბურთი*); სპორტ. ორთაბრძოლაზე (მაგ., *კრივი, კლასიკური ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა*); *სპორტუ-*

ლი შეჯიბრებანი (მაგ., ოლიმპიური თამაშები, სპარტაკიადა); სპორტული ნაგებობანი (მაგ., სტადიონი, ტრამპლინი); იხ. აგრეთვე ტ. საქართველოს სსრ, თავი ფიზიკური კულტურა და სპორტი, ტურიზმი, სპორტული საზოგადოებები და სხვ.

ვ. ელაშვილი.

სპორტის ოსტატი, სსრკ სპორტის ოსტატი, საპატიო სპორტული წოდება, რ-იც ენიჭება სპორტსმენს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით გათვალისწინებული ნორმატივების შესრულებისათვის. შემოღებულია 1935 წ. 1 იანვრიდან. ს. ო-ის წოდება სპორტსმენს ენიჭება სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტის ბრძანების საფუძველზე; შემოღებულია ს. ო-ის სამკერდე ნიშანი და მოწმობა.

სსრკ სპორტის დამს. ოსტატის წოდება (შემოღებულია 1934) ენიჭება სპორტსმენს დიდი სპორტ. წარმატებისათვის (მსოფლიოს, ოლიმპიური ჩემპიონის წოდების მოპოვება, ევროპისა და სსრკ-ის პირველობაში მრავალგზის წარმატება და სხვ.). სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატის წოდება (შემოღებულია 1965) ენიჭება სპორტსმენს საერთაშ. მასშტაბის შედეგებისათვის სპორტის იმ სახეობაში, რ-იც შედის მსოფლიო პირველობების, ოლიმპიური თამაშების, ევრ. პირველობების პროგრამაში, აგრეთვე იმ სახეობაში, რ-შიც ტარდება დიდი საერთაშ. შეჯიბრებები. 1983 დეკ-თვის საქართველოში იყო 6658 სსრკ ს. ო., 163 სსრკ სპორტის დამს. ოსტატი და 241 სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი.

ა. ციბაძე.

სპორტის სასახლე, დახურული არქიტექტურული ნაგებობა, რ-იც განკუთვნილია სპორტული შეჯიბრებებისა და მასობრივი სანახაობითი ღონისძიებების ჩასატარებლად. სსრკ-ში მნიშვნელოვანი ს. ს-ები აგებულია მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში, მინსკსა და ბევრ სხვა ქალაქში. თბილ. ს. ს. აშენდა 1961 (არქიტექტორები ვ. ალექსი-მესბიშვილი, ი. კასრაძე; კონსტრუქტორი დ. ქაჯაია); ს. ს-ის გადახურვა გუმბათით კონსტრუქციული თვალსაზრისით უნიკალურია სსრკში, მისი ტრიბუნები 10500 მაყურებელს იტევს; მთავარი არენის ზომებია 44×27,4 მ. ს. ს-ში მეცადინეობს საქ. სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა საცურაო სკოლა. 1985 ს. ს-თან მოეწყო „ქართული სპორტის დიდების მუზეუმი".

გ. ყირმელაშვილი.

სპორტის ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივით განპირობებულ ქცევას. მისი ამოცანაა შეისწავლოს სპორტ. ქცევის მთლიანი სისტემისა და მისი ცალკეული კომპონენტების (მოძრაობის ტექ., წვრთნისა და შეჯიბრების) ფსიქოლ. თავისებურება, ცალკეული სპორტსმენისა და სპორტსმენთა კოლექტივის შეჯიბრებისათვის ფსიქოლ. მომზადების დონე, სპორტსმენთა პიროვნების ხასიათის თავისებურება და სხვ. საბჭ. ს. ფ-ში ექსპერ. კვლევის შედეგად შესწავლილია ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი. საქართველოში ეს საკითხები დამუშავებულია დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე, კერძოდ, სპორტსმენის განწყობის სტრუქტურის თავისებურების კვლევის მეთოდები, შეჯიბრების ფსიქოლ. საკითხები, განწყობის სტრუქტურის როლი მოძრაობის ჩვევების შემუშავებაში, სპორტის გავლენა სპორტსმენის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მწვრთნელებისათვის რეკომენდაციების შედგენის მეთოდები და სხვ.

ლიტ.: ნორაკიძე ვ., სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1959; Вилюнас В., Влияние спортивной деятельности на формирование характера личности спортсмена, კრ.: Психология и современный спорт, М., 1973; Кретти Б. Дж., Психология в современном спорте, пер. с англ., М., 1978; Психология спорта, под ред. П. А. Рудика, М., 1959; Пуни А. Ц., Очерки психологии спорта, М., 1959.

ვლ. ნორაკიძე.

სპორტული აღჭურვილობა, სპეციალურად დამზადებული ინვენტარი, რ-იც განკუთვნილია ფიზკულტურასა და სპორტში ვარჯიშის და შეჯიბრებისათვის, აგრეთვე სპორტსმენების ფიზიკური და ტექნიკური მომზადებისათვის. სპორტ. იარაღის ზომას, წონას, მასალას, ფორმას და სხვ. განსაზღვრავენ სათანადო საერთაშ. სპორტ. ორგანიზაციები და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტი, სპორტის ეროვნ. სახეობებში — რესპუბლიკების ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტები.

სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილია სათანადო სპორტ. იარაღი და ინვენტარი: სპორტ. ტანვარჯიშისათვის ორბელი, ტაიჭი, სატანვარჯიშო რგოლები, დვირი და სხვ.; მძლეოსნობისათვის — შუბი, ბადრო, ბირთვი, ურო, ჭოკი; სპორტ. თამაშებისათვის — ბურთი და სხვ., ძალოსნობისათვის — შტანგა; მხატვრული ტანვარჯიშისათვის ბურთი, სალტე, ლენტი, სახტუნებელი, გურზი; ფიგურული ციგურაობისათვის — ციგურები; სათხილამურო სპორტისათვის — თხილამურები და ჯოხები; სროლის სხვადასხვა სახეობისათვის — კუთხვილებიანი და პნევმატური შაშხანები და პისტოლეტები, სასტენდო თოფები და სხვ.

იმიტაციურ სავარჯიშო იარაღებს განეკუთვნება ველოდანადგარი, სპეც. სტენდები მოთხილამურეებისათვის, საბუნკერო დანადგარები კალათბურთის ფარქვეშ ბრძოლის მოდელირებისათვის, ფრენბურთის გადასატანი მაბლოკირებელი დანადგარი, ავტოლიდერები და სხვ.

შეჯიბრებაში გამოსაყენებელი ძირითადი სავარჯიშო სპორტ. ინვენტარის გარდა არსებობს სხვადასხვა წონისა და ზომის სასწავლო სპორტ. ნაკეთობანი, რ-თა კონსტრუქცია და მოწყობილობა საშუალებას იძლევა სპორტ. ვარჯიშები ჩავატაროთ სხვადასხვა რეჟიმის მიხედვით და დავიცვათ თანდათანობითი სწავლების პრინციპი.

სამსაჯო სპორტ. ინვენტარია ნახტომების სიგრძის (ოპტიკური ვიზირი), ტყორცნის მანძილის (ლაზერის სხივი), აგრეთვე დროის გასაზომი (ავტოქრონომეტრაჟი, ფოტოფინიში) სპეც. ხელსაწყოები, სატყორცნი იარაღის გადასატანი მოწყობილობა, სხვადასხვა საკონტროლო ხელსაწყო და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ სპორტ. იარაღის ძირითადი პარამეტრები რეგლამენტირებულია შეჯიბრებათა წესებით, სპორტ. ნაკეთობათა უმრავლესობა განუწყვეტლივ იცვლება და სრულყოფილი ხდება, უმჯობესდება მისი საექსპლოატაციო თვისებები, კონსტრუქცია, მასალა, რაც საგრძნობლად ამაღლებს სპორტ. შედეგების დონეს.

ა. მჭედლიშვილი.

სპორტული თამაშები, უმეტესად მოძრავი თამაშობანი, რ-თაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ტექნიკური და ტაქტიკური ილეთის გამოყენებით მოწინააღმდეგის სამიზნეში (კარი, მოედანი) რაიმე სპორტული იარაღის (ჩვეულებრივ, სპორტ. ბურთის) მოხვედრა. ს. ო-ში მკვეთრად გამოიკვეთება გუნდის ან ცალკეული მოთამაშის სპორტ. ბრძოლისუნარიანობა, სწრაფება გამარჯვებისაკენ, მოთამაშეთა მოქმედების ერთსულოვნება და სხვ. ს. ო-ის უმეტესობა ბუნებრივი მოძრაობისა და ფიზ. ვარჯიშების (სირბილი, ხტომა, ტყორცნა და სხვ.) კომპლექსია, რ-საც მოთამაშე პარტნიორები ასრულებენ და მიმართულია საბოლოო გამ.რჯვების მოსაპოვებელი სიტუაციების შექმნისაკენ.

სსრკ-ში გავრცელებული ს. ო-ია ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, ჰოკეი (მაიბიანი, ბალახზე), რეგბი, ჩოგბურთი, ქალაქბანა და სხვ. საზღვარგარეთ ზემოდასახელებული თამაშების გარდა არსებობს ბეისბოლი, ამერ. ფეხბურთი, გოლფი, ველოსპორთი, კრიკეტი, კეგლი, კერლინგი და სხვ. სსრკ-ში გავრცელებულია აგრეთვე ეროვნ. ს. ო.: საქართველოში — ისინდი, ცხენბურთი, ლელო და სხვ. ბელორუსიაში — გულა; სომხეთში — მაკანაბაღი და ა. შ.

ყველა ს. ო-ს აქვს შეჯიბრების ჩატარების დამკვიდრებული და რეგლამენტირებული წესი, რ-იც განსაზღვრავს სათამაშო მოედნის ზომებს, თამაშის დროს, ქულების ანგარიშს, შეჯიბრის ჩატარების ფორმას, შედეგების აღრიცხვის წესს და სხვ. ს. ო-ის ჩატარების წესებს ამუშავებენ სათანადო საერთაშ. ფედერაციები, ეროვნ. ს. ო-ის წესებს — ეროვნ. ფედერაციები. ს. ო-ში ეწყობა ცალკეული ქვეყნების, კონტინენტური, მსოფლიო ჩემპიონატები; ს. ო. შედის ოლიმპიური თამაშების, რეგიონული და სხვა შეჯიბრების (მსოფლიო სტუდენტური თამაშობანი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადა და სხვ.) პროგრამაში. სსრკ ს. ო-ის ფედერაციები სათანადო საერთაშ. ფედერაციების წევრები არიან.

ა. ბურჭულაძე.

სპორტული მედიცინა, მედიცინის დარგი, რ-იც იკვლევს სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების ორგანიზმის ჯანმრთელობას, ფიზიკურ განვითარებას და ფუნქციურ მდგომარეობას, შეისწავლის ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული დაავადებებისა და დაზიანებების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას, აგრეთვე სპორტ. რეაბილიტაციის, პრეპათოლ. მდგომარეობის, სპორტ. ტრავმატოლოგიის საკითხებს და სხვ. ს. მ-ის თეორ. საფუძველია სპორტ. კოლექტივებისა და პიროვნების სოციოლოგია, სპორტის ფსიქოლოგია, სამედ. და ევოლ. გენეტიკა, სამედ. პოპულაციური ეკოლოგია, ფუნქციური ანატ., ფიზ. ვარჯიშისა და სპორტის ფიზიოლ., ბიოქიმ., ფუნქციური დიაგნოსტიკა, სპორტის ჰიგიენა და ა. შ.

ს. მ. ახორციელებს სპორტსმენების დისპანსერიზაციას და საექიმო-პედ. დაკვირვებას; ატარებს სპორტსმენთა შორის სანიტ.-განმან. მუშაობას და სხვ.

საქართველოში ს. მ-ის განვითარება დაკავშირებულია გ. მღებრიშვილის, ვ. კუნჭულიას, ა. ზოიძის, გ. მიქმარიაშვილის, ზ. თელიას და სხვათა სახელებთან. 1930 შეიქმნა თბილ. სამედ. ინ-ტის ფიზ. აღზრდისა და საექიმო ფიზკულტურის კათედრა, 1936 — საბჭ. კავშირში პირველი საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი; 1953 — საექიმო კონტროლისა და სამკურნ. ფიზკულტურის სამეცნ. საზ-ბა, 1957 — ს. მ-ის ფედერაცია.

რ. სვანიშვილი.

სპორტული ნაგებობანი, ცალკეული შენობები ან შენობათა კომპლექსი, რ-იც განკუთვნილია გამაჯანსაღებელი და სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობისათვის, აგრეთვე სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრების ჩასატარებლად. ს. ნ-თა პროტოტიპია ანტ. პალესტრები და გიმნასიუმები, სტადიონები, ჰიპოდრომები, ცირკები, ძვ. რომაულ ამფითეატრებში (კოლოსეუმი რომში და სხვ.) შერწყმული იყო სტადიონისა და ცირკის ფუნქციები. ქრისტ. რელიგია უარყოფდა პარმონიულად განვითარებული ადამიანის სხეულის კულტს, ამიტომ ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში ს. ნ-თა მშენებლობა საგრძნობლად შეფერხდა. ს. ნ-თა ინტენს. მშენებლობა დაიწყო XIX ს-ში.

1828—30 აგაეს პირველი ხელოვნური საცურაო აუზები, შემდეგ ტანვარჯიშის დარბაზები, ს. ნ-თა მშენებლობის განვითარებას ხელი შეუწყო ოლიმპიური თამაშების აღორძინებამ (1896). XX ს-ში ს. ნ. ხშირად მნიშვნელოვანი საზ. ცენტრების ფუნქციას ასრულებენ, ბევრი მათგანი თანამედროვე ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშია.

ახლანდ. ს. ნ-თა შემადგენლობაში შედის ძირითადი ნაგებობანი, რ-ებიც განკუთვნილია საწვრთნელი ვარჯიშებისა და შეჯიბრების ჩასატარებლად (მინდორი, მოედანი, დარბაზი), აგრეთვე დამხმარე ნაგებობანი და სათავსები — გარდერობები, გასახდელები, საშხაპეები, ორთქლის აბანოები, სასწავლო-მეთოდ. ოთახები, ადმ. და ტექ. სამსახურის სხვადასხვა სათავსო; მაყურებელთა ტრიბუნები და მომსახურებისათვის განკუთვნილი სათავსები (ფოიე, ბუფეტი, სანიტ. კვანძი და სხვ.) განლაგებულია ძირითად ნაგებობებში. ძირითადი ნაგებობა შეიძლება იყოს ღია და დახურული, განკუთვნილი სპორტის ერთი ან რამდენიმე სახეობისათვის (მაგ., უნივერს. დარბაზები ტანვარჯიშისა და სპორტ. თამაშებისათვის), კომპლექსური, რ-იც შედგება ერთ ტერიტორიაზე განლაგებული რამდენიმე, სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილი სპეც. ნაგებობისაგან. ღია განცალკევებულ ს. ნ-ს განეკუთვნება მოედნები და მინდვრები, სათხილამურო და საციგურაო ტრასები, ტრამპლინები, ველოტრეკები და სხვ., ღია კომპლექსურს— სტადიონები, საცხენოსნო სპორტ. ბაზები და სხვ., დახურული სპორტ. დარბაზები, დახურული აუზები, კორტები, სტადიონები და ა. შ. 1960—70 წლებში გაჩნდა ტრანსფორმირებული (ზაფხულში ღია, ზამთარში დახურული) და კომპლექსური ს. ნ. (რ-ებშიც შერწყმულია ღია და დახურული ნაგებობანი). თანამედროვე ს. ნ. სპორტის 50-მდე სახეობას ემსახურება.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 625.

სპორტული საზოგადოებანი, სსრკ-ში, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, რ-ებიც აერთიანებენ მშრომელ და მოსწავლე ახალგაზრდობას და მიზნად ისახავენ ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებას. 1975 მოქმედებდა 7 საკავშ. საზ-ბა „ქარიშხალა", „ვოდნიკი", „დინამო", „ზენიტი", „ლოკომოტივი", „სპარტაკი", „შრომითი რეზერვები"; 30 რესპ. ნებაყოფლობითი საზ-ბა, მ. შ. 15 აერთიანებდა საწარმოთა ფიზკულტ. კოლექტივებს (მ. შ. ყველაზე დიდია „ტრუდი" — რსფსრ, „ავანგარდი" — უკრ. სსრ) და 15 — სოფლის კოლექტივებს (მ. შ. ყველაზე დიდია „უროჟაი" — რსფსრ, „კოლოსი" — უკრ. სსრ); 32 ს. ს. ეკუთვნოდა პროფკავშირებს. სსრკ დოსააფის სისტემაში ფიზკულტ.-სპორტ. მუშაობას ახორციელებენ სპორტ.-ტექ. კლუბები, შეიარაღებულ ძალებში — არმიის სპორტ. კლუბები (ყველაზე დიდია არმიის ცენტრ. სპორტ. კლუბი).

საქ. სსრ-ში 1983 იყო 9 ს. ს.: „დინამო", „ზენიტი", „სპარტაკი" (1300 ფიზკულტ. კოლექტივი), „ლოკომოტივი" (169 ფიზკულტ. კოლექტივი), „შრომითი რეზერვები" (153 ფიზკულტ. კოლექტივი), „კოლმეურნე" (1201 ფიზკულტ. კოლექტივი), „ქარიშხალა" (17 ფიზკულტ. კოლექტივი). იხ. აგრეთვე ტ. *საქართველოს სსრ*, თავი „ფიზიკური კულტურა და სპორტი. *ნ. შესხი.*

სპორტული სკოლა, სპეციალიზებული სასწავლო- აღმზრდელობითი დაწესებულება, რ-იც ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენებს. სსრკ-ში შეიქმნა 1934 თბილისში. განათლების სისტემაში. იმავე წლის ბოლოს ს. ს-ები შეიქმნა კიევსა და მოსკოვში. ამიერკავკ. რესპუბლიკების სპარტაკიადის მზადებასთან დაკავშირებით, მოზარდთა ჯგუფის მეცადინეობისათვის განათლების სახ. კომისარიატმა სკოლების ფონდიდან გაიღო მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასი, რისთვისაც მას სკოლა დაერქვა. ეს სახელწოდება ამ დაწესებულებას შერჩა დებულების დამტკიცების შემდეგაც, რაც ოფიციალურად მოხდა 1938. ბავშვთა სპორტ. წვრთნის ეს ფორმა მეტად ნაყოფიერი გამოდგა ჯერ რესპუბლიკისათვის, მერე კი, მისი გავრცელების შემდეგ, მთელი სსრ კავშირისათვის. ამჟამად ს. ს. ყველა უწყება-ორგანიზაციაშია გამოყენებული მაღალთანრიგოსანი სპორტსმენების, ოლიმპიური რეზერვის მოსამზადებლად. საქართველოში ცნობილია შემდეგი ტიპის ს. ს-ები: ბავშვთა და მოზარდთა ს. ს.; ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ს. ს.; ბავშვთა და მოზარდთა კომპლ. ს. ს.; უმაღლესი სპორტ. დაოსტატების ს. ს.; ახალგაზრდობის ს. ს. *გ. მერკვილაძე.*

სპორტული ტანვარჯიში, სპორტის სახეობა, რ-იც მოიცავს შეჯიბრებებს სატანვარჯიშო იარაღებზე, თავისუფალ ვარჯიშსა და ბჯენით ხტომებში. სატანვარჯიშო მრავალწიდის თანამედროვე პროგრამაში სავალდებულოა ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებაც: ქალებისათვის — სხვადასხვა სიმაღლის ორძელზე, დვირზე, ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში; ვაჟებისათვის — ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე, სახელურებიან ტაიჭზე, ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. სავალდებულო ვარჯიშებს განსაზღვრავს და ამტკიცებს ს. ტ-ის საერთაშ. ფედერაცია, ნებისმიერს ადგენენ თვითონ სპორტსმენები (ვარჯიშების სიძნელისა და კომპოზიციისადმი ოფიც. მოთხოვნების გათვალისწინებით). ვარჯიშების შესრულება ფასდება 10-ბალიანი სისტემით. შეჯიბრება შეიძლება იყოს გუნდური და პირადი. სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების შემდეგ ვლინდება მრავალჭიდში გუნდური პირველობა, რის შედეგადაც ს. ტ-ის თითოეული სახეობიდან შეარჩევენ განსაზღვრული რაოდენობის (5—8) საუკეთესო ტანმოვარჯიშეს ფინალურ შეჯიბრში მონაწილეობისათვის (პირადი პირველობა).

ჯერ კიდევ ძვ. საბერძნეთში ტანვარჯიში ფიზ. მომზადების სისტემაში შედიოდა და ოლიმპიური თამაშებისათვის ახალგაზრდების მომზადების ერთ-ერთი საშუალება იყო. XIX ს. II ნახევარში დას. ევრ. რამდენსამე ქვეყანაში დაიწყეს შეჯიბრებების ჩატარება ტანვარჯიშის ზოგიერთ სახეობაში. 1881 შეიქმნა ტანვარჯიშის პირველი საერთაშ. ფედერაცია (შევიდნენ ბელგ., ჰოლანდ. და საფრ. წარმომადგენლები). რუსეთში პირველი შეჯიბრება 1885 ჩატარდა მოსკოვში. 1896-იდან ს. ტ. შეტანილია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში (1928-იდან ქალებიც მონაწილეობენ). 1903-იდან ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები (1934-იდან ქალებიც მონაწილეობდნენ). სსრკ-ში პირველი ჩემპიონატი სატანვარჯიშო მრავალჭიდში შედგა 1928 (მოსკ. საკავშ. სპარტაკიადაზე), მეორე (ქალების მონაწილეობით) — 1932. ს. ტ-ის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ვ. სოკოლოვსკის, გ. *ეგნატაშვილს*, ბ. ასტაფიევს, ა. ბაქრაძეს, ლ. ორლოვს, ნ. მირონოვს; სპორტსმენებს — გ. *რცხილაძეს* მ. ტიშკოს, თ. დემიდენკოს, ე. ბოკოვას, გ. ურბანოვიჩს, მ. დმიტრიევს, ა. იბადულაევს, ნ. სერის და სხვ. 1937 საბჭ. ტანმოვარჯიშეები პირველად მონაწილეობდნენ საერთაშ. შეჯიბრებაში და გამარჯვებას მიაღწიეს; გამარჯვებულთა შორის იყვნენ ქართვ. ტანმოვარჯიშეები გ. რცხილაძე და ა. ჯორჯაძე. 1949 ს. ტ-ის ფედერაცია ს. ტ-ის საერთაშ. ფედერაციის წევრი გახდა. 1952-იდან საბჭ. ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში, 1954-იდან — მსოფლიო, ხოლო



სპორტული ნაგებობანი. სტადიონი „აცტეკა". მექსიკო. 1968. არქიტექტორები პ. რამირეს ვასკესი, რ.მ. ალსერა, ლ. მ. დელ კამპო.

1955-იდან — ევრ. ჩემპიონატებში. ქალთა გუნდი 8-ჯერ იყო ოლიმპიური თამაშებისა და 6-ჯერ მსოფლიო პირველობის ჩემპიონი; ვაჟთა გუნდი 3-ჯერ (1952, 1956, 1980) იყო ოლიმპიური თამაშების და 2-ჯერ (1954, 1958) მსოფლიო პირველობის ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონები იყვნენ მ. გოროხოვსკაია, პ. ასტახოვა, ო. კორბუტი, ა. აზარიანი, გ. შაგინიანი, ი. ტიტოვი, ვ. მურატოვი, მ. ვორონინი, ნ. ანდრიანოვი, ვ. კლიმენკო, ა. დიტიატინი და სხვ. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს აბსოლ. ჩემპიონები იყვნენ ლ. ლატინინა, ლ. ტურიშჩევა, ვ. ჩუკარინი, ბ.შახლინი, ნ. ანდრიანოვი, ა. დიტიატინი.

საქართველოში ს. ტ-ის ფუძემდებლად ითვლება ჩეხი ა. ლუკეში, რ-იც 1896 ჩამოვიდა საქართველოში, სადაც 23 წელი დაჰყო. აქ ლუკეშმა მოამზადა ქართვ. ტანმოვარჯიშეების მთელი პლეადა. მისი საქმე გააგრძელა მისმა მოწაფემ გ. ეგნატაშვილმა. საქართველოდან სსრკ აბსოლუტური ჩემპიონები იყვნენ გ. რცხილაძე (1932, 1933, 1934), პ. რომანიშვილი (1938), პ. შამუგია (1976) , რ-იც ამავე დროს ბჯენით ხტომებში მსოფლიოს თასის მფლობელია (1975).

ქართვ. სპორტსმენები არაერთხელ მონაწილეობდნენ მსოფლიო და ევრ. ჩემპიონატებში: 1952 ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ქალთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მ. ჯულელი და გ. შარაბიძე, ხოლო 1974 მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული ქალთა გუნდის წევრი იყო რ. სიხარულიძე. *თ. სანებლიძე.*

სპორტული ფედერაციები, საერთაშორისო (მსოფლიო, რეგიონული) და ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფიზიკური კულტურის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში. სსრკ-ში შეიქმნა 1959 წ. 1923—24-იდან სპორტის სხვადასხვა სახეობაში არსებული საკავშ. სექციების ბაზაზე. ს. შ-ის ფუნქციებში შედის სკკპ და საბჭ. მთავრობის მიერ ფიზკულტ. და სპორტის საყოველთაო განვითარებისათვის დასმული ამოცანების განხორციელება, სპორტსმენთა ოსტატობის გამუდმებული ზრდისა და მაღალი სპორტ. შედეგებისათვის ზრუნვა, საბჭ. ფიზკულტ. და სპორტის ფართო პროპაგანდა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

საკავშ. ს. შ. მუშაობენ სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტის სათანადო სამმართველოებსა და განყ-ებებში. საკავშ. ს. შ-ის შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკ. და ლენინგრ. ს. შ-ის სპორტ. საზ-ბათა საკავშ. სექციების, სამინისტროების, უწყებების, პრო. და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედ. და მეცნ. მუშაკები, მაღალკვალიფიციური სპორტსმენები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, კინოს წარმომადგენლები და სხვ. ამავე პრინციპით იქმნება მოკავშირე რესპუბლიკების ს. შ-ის შემადგენლობა.

ს. შ.' გეგმავენ და კოორდინაციას უწევენ სპორტის გარკვეული სახეობის განვითარებისათვის გამიზნულ მუშაობას; ატარებენ მოსამზადებელ სამუშაოს საკავშ. და

საერთაშ. შეჯიბრებებისათვის; ამუშავებენ სპორტ. ღონისძიებათა კალენდარულ გეგმებს, შეჯიბრებათა წესებს, გამოსცემენ პროგრამებს, ინსტრუქციებს; ამზადებენ საზ. მწვრთნელებს, ინსტრუქტორებს, მსაჯებს; კონსულტაციას უწევენ სპორტ. აღჭურვილობისა და ინვენტარის, ტრენაჟერების, სპორტ. ფორმისა და ტანსაცმლის შერჩევის საკითხებში; განიხილავენ და კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგენენ მასალებს სპორტ. წოდებების (მაგ., „სსრკ სპორტის ოსტატი“, „საკავშირო კატეგორიის მსაჯი“ და სხვ.) მისანიჭებლად და სხვ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტთან შექმნილია და მუშაობს 47 ს. შ., მ. შ. ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, წყალბურთის, ცურვის, კლასიკური, თავისუფალი და ქართ. ჭიდაობის, სამბოს, ძიუ-დოს, კარატეს, სპორტ. და მხატვრული ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ძალოსნობის, რეგბის, ფარიკაობის, ჩოგბურთის, საველოსიპედო სპორტის, ალპინიზმის, ჭადრაკის, სახანძრო-გამოყენებითი სპორტის და სხვ. ფედერაციები (იხ. აგრეთვე სტატიები სპორტის სახეობებზე). *ა. მჭედლიშვილი.*

სპორტული შეჯიბრებანი, სპორტსმენების შეხვედრის ორგანიზებული ფორმა, სადაც ვლინდება სპორტსმენების მაქსიმალური შესაძლებლობანი — ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე, უმაღლესი სპორტული მიღწევებისაკენ სწრაფვა, ტექ., ტაქტიკური და ფსიქოლ. მომზადების დონე და სხვ. ს. შ. საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მწვრთნელების, მსაჯების მუშაობა. საერთაშ. ს. შ. დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში.

გეოგრ. ნიშნის მიხედვით, არსებობს შემდეგი ს. შ.: *საერთაშორისო* (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატები, თასების გათამაშებანი, უნივერსიადები, საჭადრაკო ოლიმპიადები და სხვ.). *რეგიონული* (კონტინენტური ჩემპიონატები, თასები, თამაშები). *ეროვნული* (ცალკეული ქვეყნების ჩემპიონატები, თასები, სპარტაკიადები, თამაშები), საოლქო, სამხარეო, რ-ნული, საქალაქო (ჩემპიონატები, თასები, თამაშები და სხვ.) და სხვ. პროგრამის მიხედვით ს. შ. შეიძლება იყოს *კომპლექსური* (ოლიმპიური თამაშები, სპარტაკიადები, უნივერსიადები) და *სპეციალიზებული* (სპორტის სხვადასხვა სახეობაში); გამარჯვებულის გამოვლინების ამოცანებისა და პირობების მიხედვით — *პირადი, გუნდური* და *პირად-გუნდური*; ს. შ-თა გატარების ხასიათის მიხედვით — *ოფიციალური* (თამაშდება ჩემპიონის, თასის მფლობელის წოდება და სხვ.), *საკვალიფიკაციო* (ვლინდება მონაწილეთა სპორტ. კვალიფიკაცია) და *ამხანაგური*.

არსებობს ს. შ-ის ჩატარების 3 ძირითადი სისტემა: *წრიული* (ყველა მოთამაშე ერთმანეთს ხვდება ერთხელ ან რამდენჯერმე, გამარჯვებისათვის ერიცხებათ ქულები). *სათასო* (წაგებული გადის თამაშიდან) და *შერეული*.

ს. შ. ცალკ-ცალკე ტარდება ქალებისა და კაცებისათვის (ცხენოსნობისა და სპორტის ზოგიერთი ტექ. სახეობის გარდა), აგრეთვე მოზრდილთათვის, იუნიორთა და ბავშვებისათვის. სპორტის ზოგიერთ სახეობაში (ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი) გათვალისწინებულია შერეული წყვილების ს. შ., ფიგურულ ციგურაობაში — სპორტ. წყვილებისა და საცეკვაო დუეტების გამოსვლა.

ს. შ-ის *ძირითადი* დებულებით (რ-საც ამტკიცებს ს. შ-ის მომწყობი ორგანიზაცია) გათვალისწინებულია ს. შ-ის ჩატარების ადგილი, დრო, პროგრამა, გამარჯვებულთა გამოვლინების სისტემა, დაჯილდოება და სხვ. ს. შ-ის რეგლამენტირება ხდება სათანადო ოფიც. წესებით.

სპორტული ფოდება, ენიჭება საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა ოფიციალურ სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებისა და ერთიანი საკავშირო სპორტ. კლასიფიკაციით დადგენილი ნორმატივის შესრულებისათვის, ნაყოფიერი პედ. და საწვრთნელო მოღვაწეობისათვის, სპორტში აქტ. სამსაჯო მუშაობისათვის და სხვ. სსრკ-ში დადგენილია შემდეგი საპატიო ს. წ-ები (ანიჭებს სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტი): სსრკ სპორტის ოსტატი (1935); სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1934); სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1965); საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1934); სსრკ დამს. მწვრთნელი (1956); საპატიო მსაჯი სპორტში (1972); სსრკ დიდოსტატი (ჭადრაკში — 1935; შაშში — 1961); სპორტ. თანრიგები: სპორტის ოსტატობის კანდიდატი, I, II, III თანრიგების სპორტსმენი, ჭაბუკთა შორის — I, II, III თანრიგების სპორტსმენი. არსებობს აგრეთვე თანრიგები სპორტის ეროვნ. სახეობებში — სპორტის ოსტატი რესპ. სპორტის ეროვნ. სახეობებში, რესპ. დამს. მწვრთნელი (ანიჭებს ფიზკულტ. და სპორტის რესპ. კომიტეტი), ფიზკულტ. და სპორტის დამს. მოღვაწე (ანიჭებს რესპ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი) და სხვ. ს. წ. სპორტსმენს სამუდამოდ ენიჭება, თანრიგი კი უნდა დაიმტკიცოს: 2 წელიწადში ერთხელ. *ა. ციბაძე.*

სპრინგზი (Springs), ქალაქი სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში, ტრანსვაალის პროვინციაში. 104 ათ. მცხ. (1970). სარკინიგზო კვანძი. *ვიტვატერსრანტის* ერთერთი ცენტრი. მანქანათმშ. (სამთო და პოლიგრ. მოწყობილობა, ელექტროძრავები), ფურცლოვანი მინის წარმოება, ლითონდამუშავება.

სპრინგფილდი (Springfield), ქალაქი აშშ-ში, ილინოისის შტატის ადმ. ცენტრი. 99 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 186 ათ. (1980). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. სას.-სამ. რ-ნის ცენტრი. ლითონდასამუშ., მანქანათსაშ., კვების მრეწველობა.

სპრინგფილდი (Springfield), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ახალ ინგლისში, მასაჩუსეტსის შტატში, მდ. კონექტიკუტის ნაპირზე. 152 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 530 ათ. (1980). ჩარხების, იარაღების, ხელსაწყოებისა და საკანტორო მანქანების წარმოება. ელექტროტექ., ქიმ., რეზინის, ქაღალდის, პოლიგრ., სამხ. მრეწველობა. დაარსდა 1636.

სპრინგფილდი (Springfield), ქალაქი აშშ-ში, მისურის შტატში. 133 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 218 ათ. (1980). სარკინიგზო კვანძი, სას.-სამ. და სამთოსამრეწვ. რ-ნის ცენტრი. ლითონდასამუშ., მანქანათსაშ., ტყავ-ფეხსაცმლის, კვების მრეწველობა.

სრედნა-გორა, *ანტიბალკანები*, მთები ბულგარეთში, იმიერბალკანების ქვაბულებსა (ჩრდ.) და ზემო თრაკიის დაბლობს (სამხრ.) შორის. სიგრძე 285 *კმ*, სიმაღლე 1604 *მ*-მდე (მთა ბოგდანი). აგებულია კრისტ. ქანებით, ქვიშაქვებით და კირქვებით. აქვს ბრტყელი მწკერვალები. არის სპილენძის მადანი, მინერ. წყლები. კურორტები. კალთები შემოსილია მუხნარითა და წიფლნარით.

სრედნეურალსკი, ქალაქი 1966-დან რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, ისეტის ნაპირზე, რკინიგზის სადგ. შუვაკიშიდან 6 *კმ*. სრესი. ლითონის კონსტრუქციების, ხის დასამუშ., რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, მეფრინველეობის ფ-კა.

სრვა, *ამოხოცვა*, წყლის ცხოველების, უმთავრესად თევზების მასობრივი დალუპვა; გაპირობებულია წყალში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობის დაკლებით ან წყალში შხამიანი ნივთიერების მოხვედრით (უსუფთაო ჩამდინარე წყლის ან ხმელეთიდან შხამქიმიკატების ჩარეცხვის შედეგად). ჟანგბადის რაოდენობა მცირდება ორგ. ნივთიერებებით მდიდარ წყალსატევებში (მაგ., ჭაობებში), დამდგარ წყალში წყალმცენარეების ძლიერი განვითარებისას (წყლის ყვავილობა), აგრეთვე ზოოპლანქტონში. ს ზოგჯერ ზღვაშიც ხდება (მაგ., აზოვის ზღვაში ზაფხულში, წყნარ ამინდში). ჟანგბადიხ ნაკლებობას განსაკუთრებით განიცდიან თევზები, კიბოსნაირები, მოლუსკები. ს-თან ბრძოლის ღონისძიებებია წყლის გაჯერება ჟანგბადით და წყალსატევის დაცვა შხამიანი ნივთიერებებისაგან.

სრინაგარი, ქალაქი ინდოეთში, ჰიმალაიში. გაშენებულია ქაშმირის ხეობაში, მდ. ჯელამის ნაპირზე, 1600 *მ* სიმაღლეზე. ჯამუ და ქაშმირის შტატის ადმ. ცენტრი. 403,6 ათ. მცხ. (1971). მნიშვნელოვანი სატრანსპ. პუნქტი. ცნობილია შალების, ხალიჩების შინამრეწველური წარმოებით, ხესა და ლითონზე კვეთით. არის საფეიქრო და კვების მრეწვ. საწარმოები. ტურიზმი. ს-ის ტერიტ. დაქსელილია არხებით, ქალაქის შიგნით უმთავრესად ნავებით მიმოდიან.

სროლა, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასახული ამოცანის გადასაწყვეტად. არის საბრძოლო, სასწავლო-სავარჯიშო, სპორტ. და იმიტაციური (ფუჭი გასროლით სხვადასხვა სახეობის იარაღის ს-ის გარეგნული ეფექტის შექმნა). მოიცავს ს-თვის მომზადებას (საცეცხლე პოზიციის დაკავება, სამიზნეთა დაზვერვა, იარაღის, საბრძოლო მასალის, ს-ის მონაცემების მომზადება), გამოთოფვას (სამიზნე მოწყობილობათა დაყენება ცეცხლის დასაშენად) და ს— ს მიზნის გასანადგურებლად. ს-ის პროცესი შედგება იარაღის გატენის, დამიზნების, გასროლისა და ხელახლად გატენისაგან. იარაღის ხელახლად გატენის მიხედვით ს. შეიძლება იყოს ავტომატური და არაავტომატური. ს-ის მონაცემების მომზადება შეიცავს: მიზნამდე მანძილის განსაზღვრას, იარაღის მიმართ მიზნის ვერტ. და პორიზ. განლაგებას, აგრეთვე შესწორებებს ჩეტეოროლოგიური პირობების უათვალისწინებით, მიზნისა და იარაღის მოძრაობას. ერთმანეთისაგან განარჩევენ სასროლი იარაღის (ავტომატი, ტყვიამფრქვევი, შაშხანა, კარაბინი, პისტოლეტი), არტილ. (სახმელეთო, საზენიტო, სახომალდე), აგრეთვე ტანკებიდან, ხომალდებიდან თვითმფრინავებიდან და შვეულმფრენებიდან ს-ს. იარაღის თითოეული სახეობა ხასიათდება ს-ის თავისებურებებით. ს-ის თეორ. საფუძველია *ბალისტიკა* და ს-ის თეორია.

სრულიად აფრიკის პროფკავშირთა ფედერაცია (საპფ), შეიქმნა 1961 მაისში სრულიად აფრ. პროფკავშირთა 1 კონფერენციაზე კასაბლანკაში (მაროკო). აერთიანებს აფრ. პროფკავშირებს. საპფ-ში შედის მალის, გვინეის რესპ., მაროკოს, ალჟირის, ეგვ. არაბთა რესპ., ტანზანიის, კონგოს სახ. რესპ. ეროვნ. პროფცენტრები, ნიგერიის, დაჰომეის, ანგოლის, გვინეა-ბისაუს და სხვ. ქვეყნების პროგრ. ავტონ. პროფცენტრები, დაახლ. 3800 ათ. წევრი. საპფ-ის II კონფერენციაზე (1964 ივლ., ბამაკო, მალი) მიიღეს ორგანიზაციის პროგრამა და წესდება. წესდების თანახმად, საპფ—აფრ. პროფცენტრი, ორგანიზაციულად დამოკიდებული არ არის საერთაშ. პროფგაერთიანებებზე. საპფ-ის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, იწვევენ 3 წელიწადში

ერთხელ. მიმდინარე მუშაობას ახორციელებს აღმასრ. ბიურო და სამდივნო.

სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, მასობრივი რევოლუციური დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაცია, რ-იც აღმოცენდა 1905 რევ. აღმავლობის პერიოდში და წარმოადგენდა განსაკუთრებული „გლეხური პარტიის ჩანასახს“ (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 485). კავშირის დამფუძნებელმა კრებამ, რ-იც გაიმართა მოსკოვში 1905 წ. 31 ივლ.—1 აგვ. (13—14 აგვ.) განსაზღვრა მისი სტრუქტურა, აირჩია მთავარი კომიტეტი 5 ინტელიგენტისა და 3 გლეხის შემადგენლობით. კავშირის ხელმძღვანელობაში ხალხოსნურ-წვრილბურჟ. ინტელიგენციის ატ. მონაწილეობამ გააძლიერა გლეხობისათვის დამახასიათებელი ლიბერ. მერყეობა, მაგრამ ს. რ. გ. კ-ში მთავარი ფიგურა იყო არა „წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტი — ნაროდნიკი, არამედ შეგნებული გლეხი — მომავალი „ტრუდოვიკი“ (იქვე ტ. 10, გვ. 306—307). არსებული ცნობებით, 1905 ოქტ.-დეკ-ში რუს. ევრ. ნაწილში იყო ს. რ. გ. კ-ის 470 სათემო და სასოფლო ორგანიზაცია, რ-ებიც აერთიანებდნენ 200 ათ. კაცს. პროგრამული მოთხოვნები, რ-ებიც მიიღო ს. რ. პ. კ-ის დამფუძნებელმა ყრილობამ და დელეგატთა თათბირმა (1905, ნოემბ.) იყო: მთელი მიწების ნაციონალიზაცია, მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა. გლეხთა არჩეული კომიტეტების მეშვეობით მიწა უნდა გადასცემოდა მათ, ვინც მას დაამუშავებდა დაქირავებული შრომის გარეშე. მიწის საკითხი კი საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა დამფუძნებელ კრებას, რ-იც უახლოეს ხანში უნდა მოეწვიათ. პროგრამულ მოთხოვნებში სხვა პროგრ. საკითხებიც იყო, მაგრამ მონარქიის ბედს გვერდს უვლიდა. რსდმპ წარმომადგენლის წინადადება დემოკრ. რესპ. თაობაზე უკუაგდეს. ლიბერ. მონარქიული მერყეობის მიუხედავად, ვ. ი. ლენინმა ს. რ. გ. კ. შეაფასა, როგორც „უსათუოდ რევოლუციური თავის საფუძველში“ (იქვე, გვ. 334). რუს. გლეხთა კავშირი თანამშრომლობდა პეტერბურგში მუშათა დეპუტატების საბჭოსთან. ეს კი ერთ-ერთი გამოვლინება იყო რევოლუციაში მუშათა კლასის კავშირისა გლეხობასთან. ს. რ. გ. კ-ის ორგანიზაციები გლეხთა მასობრივი აჯანყებისწრ-ნებში (უკრაინა, ვოლგისპირეთი და სხვ.) რევკომების ფუნქციებს ასრულებდნენ. შემდგომში კავშირის მოღვაწეობამ თავი მოიყარა სახელმწ. სათათბიროს ტრუდოვიკების ჯგუფის გარშემო. რუს. 1905—07 რევ. დამარცხების შემდეგ ს. რ. გ. კ-ის ორგანიზაციები დაიშალნენ, მაგრამ 1917 თებ. რევ. შემდეგ აღორძინდნენ. ბურჟ.-დემოკრ. რევ. სოციალ. რევოლუციაში გადაზრდის პერიოდში ს. რ. გ. კ-მა გლეხობაში თანდათანობით დაკარგა დასაყრდენი ბაზა მისი „ობორონცული“ პოლიტიკის, დროებითი მთავრობისადმი ნდობის ეამიცხადებისა და გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ს. რ. გ. კ-ის ყრილობაზე მოსკოვში 1917 წ. 31 ივლ.—6 აგვ. (13—19 აგვ.) მოხდა განხეთქილება. ოქტ. რევ. შემდეგ კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 10; მისივე, პროლეტარიატი და გლეხობა, იქვე, ტ. 8; მისივე, პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციაში, იქვე, ტ. 15. *ბ. გუბელიძე.*

„სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობა“, იხ. *უფის დირექტორია.*

სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოება (სრთს), ერთ-ერთი უძველესი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რ-იც აერთიანებს რსფსრ თეატრ. მოღვაწეებს. არის მოსკოვში. შეიქმნა 1893 პეტერბურგში როგორც „ხელმოკლე სცენის მოყვარულთა დამხმარე საზოგადოება“. 1894 საზ-ბა გადაკეთდა რუს. თატრ. საზ-ბად (რთს). მის ფუძემდებლებსა და ხელმძღვანელებს შორის იყვნენ იმ დროის მოწინავე მსახიობები: მ. სავინა, ვ. დავიდოვი, ნ. საზონოვი, ე. ჟულევა, დ. ლეონოვა, დრამატურგი ა. პოტეხინი; მწერალი დ. გრიგოროვიჩი. საბჭ. პერიოდში რთს-ის (1932-იდან სრთს) საქმიანობამ მიიღო შემოქმედებითი ხასიათი, მისი დახმარებით სხვადასხვა რესპუბლიკაში შეიქმნა დაჩოუკიდებელი თეატრ. საზ-ბები. 1970 სრთს აერთიანებდა რსფსრ თეატრების 25 ათ-მდე მუშაკს, ჰქონდა 72 განყ-ბა ავტ. რესპუბლიკათა დიდაქალაქებში და საოლქო ცენტრებში. სრთს შემოქმედებით დახმარებას უწევს პროფ. და თვითმოქმედ თეატრ. კოლექტივებს. საბჭ. პერიოდში სრთს-ის ხელმძღვანელებს შორის არიან უდიდესი თეატრ. მოღვაწეები. 1917—64 სრთს-ს ხელმძღვანელობდა ა. იაბლოჩკინა, 1964-იდან — მ. ცარიოვი. სრთს-ის სისტემაშია მსახიობთა სახლები მოსკოვში, ლენინგრადსა და რსფსრ-ის სხვა ქ-ებში, ცენტრ. სამეცნ. ბ-კა მოსკოვში და მისი ფილიალები 72 ადგილ. განყ-ბები, ხმის ჩამწერი სტუდია, ფ-ები, რ-ებიც ამზადებს თეატრ. პროდუქციას. საზ-ბა მატერ. დახმარებას უწევს შემოქმედებით და დასასვენებელ სახლებს, სცენის ვეტერანთა სახლებს მოსკოვსა და ლენინგრადში. სრთს 1978 დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობა, მიმდინარეობდა 1917 წ. 3—24 ივნ. (16 ივნ. — 7 ივლ. პეტროგრადში, ესწრებოდა 1090 დელეგატი, მ. შ. 822 გადამწყვეტი ხმით, 268 — სათათბირო ხმით. პარტიულობის მიხედვით 105 ბოლშევიკი, 285 ესერი, 248 მენშევიკი, 32 მენშევიკ-ინტერნაციონალისტი და ა. შ. დღის წესრიგი: რევ. დემოკრატია და სახელმწ. ხელისუფლება; ომისადმი დამოკიდებულება; დამფუძნებელი კრებისათვის მზადება; ეროვნ., მიწისა და სხვ. (სულ 12) საკითხი. ყრილობაზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების (მომხსენებელი მენშევიკი მ. ლიბერი) შესახებ. ესერებმა და მენშევიკებმა მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიასთან ბლოკის შენარჩუნებას. ისინი აღნიშნავდნენ, საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში აღება დაღუპავს რევოლუციას. მენშევიკების ლიდერის ი. წერეთლის განცხადებაზე, რომ რუსეთში არ არის არც ერთი პოლიტ. პარტია, რ-იც მარტოდმარტო იკისრებდა ძალაუფლების ხელში აღებას, კამათში გამოსულმა ვ. ი. ლენინმა განუმარტა დელეგატებს ბოლშევიკური პარტიის პროგრამა და შეიტანა წინადადება საბჭოებისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ. ამ საკითხზე ბოლშევიკების რეზოლუციის პროექტთან ახლოს იყო სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტების რეზოლუციის პროექტი, რ-იც შეიტანა ა. ლუნაჩარსკიმ. მენშევიკ-ესერთა უმრავლესობამ უარყო რეზოლუციის ორივე პროექტი და მიიღო მენშევიკ თ. დანის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი.

ვ. ი. ლენინი ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ომისადმი დამოკიდებულების საკითხზეც. მან წარმოადგინა ბოლშევიკური პარტიის პროგრამა, რ-იც მოითხოვდა ომიდან გამოსვლას პროლეტ. რევ. გზით. ყრილობაზე ბოლშევიკების მხრიდან გამოვიდნენ აგრეთვე ლ. კამენევი, ნ. კრილენკო. მაგრამ მენშევიკ-ესერთა უმრავლესობამ აქაც უარყო ბოლშევიკთა რეზოლუციის პროექტი და მხარი დაუჭირა დროებითი მთავრობის პოლიტიკას ომის საკითხში. ყრილობაზე სხვა საკითხებიც გადაწყდა მენშევიკურ-ესერული პოზიციებიდან, მაგრამ ეს იყო საკითხების დროებითი გადაწყვეტა, რადგან ის არ გამოხატავდა მუშათა და ჯარისკაცთა სურვილებს. მშრომელი მასების უკმაყოფილება დროებითი მთავრობის როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმიანობით ძალიან გაიზარდა. ამიტომ ყრილობა იძულებული გახდა 18 ივნ. (1 ივლ.) პეტროგრადში დაენიშნა დემონსტრაცია და იგი დროებითი მთავრობისადმი ნდობის დემონსტრაციად გადაექცია, მაგრამ დემონსტრანტები პეტროგრადში, მოსკოვში და სხვ. გამოვიდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებით. 19 ივნ. (2 ივლ.) მენშევიკი წერეთელი ყრილობაზე გამოვიდა ინფორმაციით ფრონტზე რუს. არმიის შეტევის დაწყების შესახებ. მენშევიკ-ესერთა ფრაქციის სახელით ვ. ვოიტინსკიმ წინადადება შეიტანა შეტევისადმი მხარდაჭერის შესახებ, რ-იც ყრილობამ მიიღო.

ყრილობამ აირჩია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუს. აღმასრ. კომიტეტი 123 მენშევიკის, 119 ესერის, 58 ბოლშევიკის და 20 სხვა პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით. *ბ. გუბელიძე.*

სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ყრილობა, რ-მაც დასაბამი მისცა სოციალისტურ რევოლუციათა ერას. მიმდინარეობდა 1917 წ. 25—27 ოქტ. (7—9 ნოემბ.) პეტროგრადში, სმოლნიში დაწყებისას ესწრებოდა 649 დელეგატი, მათგან 390 ბოლშევიკი; 160 ესერი, 72 მენშევიკი; 14 გაერთ. ინტერნაციონალისტი, 6 მენშევიკ-ინტერნაციონალისტი, 7 უკრ. სოციალისტი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუს. I ყრილობის გადაწყვეტილებას, რომ 1917 სექტ. მოწვეულიყო II ყრილობა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ესერულ-მენშევიკურმა ცაკის ხელმძღვანელობამ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ საბჭოების ყრილობის ნაცვლად მოეწვიათ დემოკრ. თათბირი. მაგრამ საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის დაჟინებული მოთხოვნით, ცაკი იძულებული გახდა 23 სექტ. (6 ოქტ.) მიეღო გადაწყვეტილება 20 ოქტ. — (2 ნოემბ.) გაეხსნა ყრილობა. ცაკი ხედავდა, რომ საბჭოების ყრილობის მოწვევის მოთხოვნა დიდი იყო, მისი ჩაშლა კი არ შეიძლებოდა, ამიტომ ყრილობის მოწვევა 25 ოქტ-თვის გადაიტანეს. ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს 14 ბოლშევიკ-დელეგატი ვ. ი. ლენინის მეთაურობით; მაგრამ ლენინი პირველ სხდომას არ დასწრებია, რადგან სმოლნიში იყო და აჯანყებას ხელმძღვანელობდა.

ყრილობის პირველ სხდომაზე (გაიხსნა საღამოს 10 *სთ* 40 *წთ*) მენშევიკებმა, ემარჯვენე ესერებმა და ბუნდელებმა განაცხადეს, რომ ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში აღება შეთქმულებად მიაჩნიათ და დატოვეს ყრილობა. სხდომაზე მიიღეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მოწოდება — „მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს“, რ-იც წაიკითხა ა. ლუნაჩარსკიმ. მეორე სხდომაზე ვ. ი. ლენინი 2-ჯერ გამოვიდა, მისი პირველი მოხსენება ეხებოდა ზავის საკითხს. ვ. ი. ლენინმა მოუწოდა მეომარ ხალხებს და მათ მთავრობებს დაეწყოთ მოლაპარაკება საყოველთაო, სამართლიანი, დემოკრ. ზავის დადებაზე. მისი მეორე მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ (იხ. *დეკრეტი ზავის შესახებ, დეკრეტი მიწის შესახებ*). ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი ფრონტზე სიკვდილით დასჯის გაუქმების, ადგილებზე მთელი ძალაუფლების საბჭოებისადმი გადაცემისა და სხვ. შესახებ, აირჩია სრულიად რუს. ცაკი (101) წევრი და სახა-

ლხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა 1917 წ. 25—26 ოქტომბერს (7—8 ნოემბერს), თხზ., გამოც. მე-4, ტ. 26; Декреты Советской власти, т. 1, М., 1957.

სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობა, მ უ შ ა თ ა, ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა და გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს სრულიად რუსეთის III ყრილობა, მიმდინარეობდა 1918 წ. 10—18 (23—31) იანვ. პეტროგრადში, ტავრიდის სასახლეში. მან მუშაობა დაიწყო როგორც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობამ. ესწრებოდა 942 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 104 სათათბირო ხმით. ყრილობას 13 (26) იანვ. შეუერთდა სრულიად რუს. გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა. ამდენად, ყრილობას დასასრულს ესწრებოდა 1647 დელეგატი გადამწყვეტი (მ. შ. 860-ზე მეტი ბოლშევიკი) და 219 სათათბირო ხმით. დღის წესრიგი: სრულიად რუს. ცაკისა და სახ. კომისართა საბჭოს ანგარიშები (ი. სვერდლოვი და ვ. ი. ლენინი), „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის" დამტკიცება; რუს. რესპ. ფედერალური დაწესებულებების შესახებ (ი. სტალინი); ომისა და მშვიდობის შესახებ (ლ. ტროცკი); მიწის სოციალიზაციის შესახებ კანონის დამტკიცება (ა. კოლეგაევი); სრულიად რუს. ცაკის არჩევნები. ყრილობამ მოიწონა ცაკისა და სახ. კომისართა საბჭოს საანგარიშო მოხსენებები და სრული ნდობა გამოუცხადა საბჭ. მთავრობის პოლიტიკას, მან საკადრისი პასუხი გასცა მენშევიკებსა და ესერებს, რ-ებიც გამოვიდნენ საბჭ. ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. დელეგატებმა ხმების უმრავლესობით მოიწონეს „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია". 14 (27) იანვ. ყრილობამ მოიწონა აგრეთვე საბჭ. მთავრობის ღონისძიებანი საყოველთაო, დემოკრ. მშვიდობის მისაღწევად. ყრილობის დადგენილებაში „რუსეთის რესპუბლიკის ფედერალური დაწესებულებების შესახებ" დამტკიცებული იყო მრავალეროვანი საბჭ. სახელმწიფოს ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები. ყრილობამ რუსეთი რსფსრ-დ გამოაცხადა და ცაკს მიანდო რსფსრ კონსტიტუციის ძირითადი დებულებების შემუშავება. ყრილობამ 18 (31) იანვ. დაამტკიცა მიწის სოციალიზაციის კანონის საფუძვლები, აირჩია ცაკი 322 კაცის შემადგენლობით (305 წევრი და 17 კანდიდატი).

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 26.

სრულიად რუსეთის საბჭოების IV (საგანგებო) ყრილობა, მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა, ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა და კ ა ზ ა კ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს სრულიად რუსეთის IV (საგანგებო) ყრილობა, მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წ. 14—16 მარტს. ესწრებოდა 1232 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, მ. შ. 795 ბოლშევიკი, 283 მემარცხენე ესერი, 21 მენშევიკი და სხვ. დღის წესრიგი: ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაცია (მომხსენებელი ვ. ი. ლენინი, თანამომხსენებელი მემარცხენე ესერთა ფრაქციიდან ბ. კამკოვი); დედაქალაქის გადატანა; ცაკის არჩევნები. გ. ჩიჩერინის ინფორმაციის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რ-მაც დაასაბუთა ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაცია, როგორც მშვიდობიანი შესვენებისა და ოქტ. რევ. მონაპოვრის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალება. წერილობურ ჟ. პარტიების წარმომადგენლები კამკოვი (ესერი), ლ. ნარტოვი (ესერ-მაქსიმალისტი) და სხვ. გამოვიდნენ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. ლენინისა და კამკოვის საბოლოო სიტყვების შემდეგ მოხდა კენჭისყრა. ხელშეკრულების რატიფიკაციას, რ-იც ლენინმა შემოიტანა, ხმა მისცა 784 დელეგატმა, წინააღმდეგ წავიდა 261 დელეგატი, თავი შეიკავა 115 (მ. შ. მემარცხენე კომუნისტებმა) დელეგატმა. სხვადასხვა მიზეზის გამო კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია 84 დელეგატს. კენჭისყრის შემდეგ მემარცხენე ესერებმა გააკეთეს განცხადება მთავრობიდან გასვლის შესახებ. ყრილობამ მიუთითა საბჭ. სახელმწიფოს თავდაცვის შემდგომი განმტკიცების, საერთაშ. სოციალ მოძრაობისადმი დახმარებისა და სხვ. შესახებ. ყრილობაზე გამოაცხადეს უკრ. საბჭოების ცაკისა და საბჭ. ორგანიზაციების დელეგატების დეკლარაცია ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაციის მოწონებით შესახებ. ყრილობამ დაამტკიცა ცაკის გადაწყვეტილება 1918 თებ-იდან დედაქალაქის პეტროგრადიდან მოსკოვში გადატანის შესახებ. აირჩიეს ცაკი 207 კაცის შემადგენლობით.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., მოხსენება საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ 14 მარტს, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 27; მ ი ს ი ვ ე, პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო, იქვე; მ ი ს ი ვ ე, რეზოლუცია ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, იქვე; მ ი ს ი ვ ე, საბოლოო სიტყვა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 15 მარტს, იქვე.

სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობა, მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა, წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ თ ა და კ ა ზ ა კ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს სრულიად რუსეთის V ყრილობა, მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წ. 4—10 ივლ., უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დასაწყისში. ესწრებოდა 1164 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, მ. შ. 773 ბოლშევიკი, 353 მემარცხენე ესერი, 17 მაქსიმალისტი, 4 ანარქისტი, 4 მენშევიკ-ინტერნაციონალისტი, 2 ერთვნ. ჯგუფის წარმომადგენელი, 1 მემარჯვენე ესერი, 10 უპარტიო. დღის წესრიგი: სრულიად რუს. ცაკისა (ი. სვერდლოვი) და სახკომსაბჭოს (ვ. ი. ლენინი) ანგარიშები; სასურსათო საკითხი (ა. ციურუპა); სოციალ. წითელი არმიის ორგანიზაცია (ლ. ტროცკი); რუს. რესპ. კონსტიტუცია (ი. სტეკლოვი); სრულიად რუს. ცაკის არჩევნები.

ყრილობაზე მემარცხენე ესერების ლიდერები (მ. სპირიდონოვა, ბ. კამკოვი, ვ. კარელინი და სხვ.) გამოვიდნენ პროვოკაციული მოწოდებით უარი ეთქვათ დეკრეტზე სასურსათო დიქტატურისა და ღარიბკომების ორგანიზაციის შესახებ, შეეწყვიტათ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან (იხ. *ბრესტის ზავი 1918*). მათი ეს მოთხოვნები უარყვეს და 5 ივლ. მოიწონეს საბჭ. მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მემარცხენე ესერების გამოსვლა დამთავრდა აჯანყებით მოსკოვში (6—7 ივლ.), რ-ის ჩახშობაში მონაწილეობდა ყრილობის ბოლშევიკური ფრაქცია. 6 ივლ. შეწყდა სხდომები. მემარცხენე ესერების ფრაქცია დააპატიმრეს, მაგრამ უდანაშაულონი (200 კაცი) დაბრუნდნენ ყრილობაზე და დაგმეს ეს გამოსვლა. 9 ივლ. ყრილობამ განაახლა მუშაობა, მოიწონა მთავრობის მოქმედება და დაავალა საბჭოების გაწმენდა იმ მემარცხენე ესერებისაგან, რ-ებიც მხარს უჭერდნენ თავიანთ ცკ-ს ანტისაბჭ. პოლიტიკის განხორციელებაში, მოიწონეს აგრეთვე რუს. ცაკისა და სახკომსაბჭოს სასურსათო პოლიტიკა, დეკრეტები სოფლის ბურჟუაზიასთან ბრძოლის საქმეში სურსათის სახ. კომისარიატისათვის საგანგებო უფლებათა მინიჭებისა და სოფლის ღარიბკომებისა და სასურსათო რაზმების შექმნის შესახებ. სოციალ. წითელი არმიის ორგანიზაციის ირაობაზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ის უნდა ყოფილიყო ცენტრალიზებული, კარგად შეირაღებული, გამორჩეული რკინისებური დისციპლინით. საამისოდ მიზანშეწონილად ცნეს აძ საქმეში რევოლუციამდელი პერიოდის სამხ. სპეციალისტების ჩაბმა. ამასთან, უნდა დაჩქარებულიყო მშრომელთა რიგებიდან გამოსულ მეთაურთა სწავლება. გადაწყდა მობილიზაციის ჩატარება. 10 ივლ. დამტკიცდა რსფსრ კონსტიტუცია, რ-იც ძალაში შევიდა 19 ივლ. სრულიად რუს. ცაკში აირჩეს 200 წევრი.

სრულიად რუსეთის საბჭოების VI (საგანგებო) ყრილობა, მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა, კ ა ზ ა კ თ ა და წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს სრულიად რუსეთის VI (საგანგებო) ყრილობა, მიმდინარეობდა 1918 წ. 6—9 ნოემბ. მოსკოვში. ესწრებოდა 1296 დელეგატი, მ. შ. 963 გადამწყვეტი ხმის უფლებით; 946 კომუნისტი, 16 სხვა პარტიების წევრი, 1 უპარტიო. დღის წესრიგი: ოქტ. რევ. წლისთავი (ვ. ი. ლენინი); საერთაშ. მდგომარეობა (ვ. ი. ლენინი); სამხ. მდგომარეობა (ლ. ტროცკი); საბჭ. ხელისუფლების მშენებლობა ცენტრში, ღარიბკომები და საბჭოები ადგილებზე (გ. ზინოვიევი); სოციალ. კანონიერების დაცვა (დ. კურსკი). სრულიად რუს. ცაკის არჩევნები.


ვ. ი. ლენინმა თავის მოხსენებებში შეაჯამა ოქტ. რევ. 1 წლისთავის ძირითადი შედეგები, დასახა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში საბჭ. მთავრობის მუშაობის პროგრამა. რეზოლუციაში „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ" ყრილობამ ხაზი გაუსვა რუსეთში საბჭ. ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალ. ქვეყნებში მზარდი რევ. მოძრაობის ჩახშობის მიზნით საერთაშ. ბურჟ. ძალების კონსოლიდაციის ფაქტს და მიუთითა იმის აუცილებლობაზე, რომ სერიოზული ყურადღება მიექცეოდა წითელი არმიის განმტკიცებას; მიიღო მიწოდებები აშშ-ის, ინგლ., საფრ., იტალ., იაპ. მთავრობებისადმი (რ-ებიც რუსეთში საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ ომს ეწეოდნენ) წინადადებით — დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის დადების თაობაზე; მიიღო მისალმება ყველა ეროვნების მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მათი ბელადებისადმი, ვინც იბრძოდა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, წითელი არმიისა და მე-11 არმიის წითელარმიელთა და მეთაურთა მიმართ, რ-ებიც იბრძოდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე, ქ. იჟევსკის აღებასთან დაკავშირებით. ჩრდილოეთის ოლქის ღარიბკომების ყრილობის წინადადებით მიიღეს დადგენილება მუშურ-გლეხური ხელისუფლების ყველაზე საიმედო და მედგარ დამცველთაგან „სოფლის ღარიბთა სანიმუშო პოლკების ორგანიზაციის შესახებ". ყრილობამ აგრეთვე მიიღო დადგენილება „ამნისტიის შესახებ", რ-ის თანახმადაც, საბჭ. ხელისუფლების განმტკიცებასთან დაკავშირებით, თავისუფლდებოდნენ ის პოლიტ. პატიმრები, რ-ებიც არ იყვნენ პოლიტიკურად საშიშნი. ყრილობამ აირჩია სრულიად რუს. ცაკი (207 წევრი და 39 კანდიდატი).

სრულიად რუსეთის საბჭოების VII ყრილობა, მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა, წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ თ ა და მ შ რ ო მ ე ლ კ ა ზ ა კ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს სრულიად რუსეთის VII ყრილობა, მიმდინარეობდა 1919 წ. 5—9 დეკ. მოსკოვში. ესწრებოდა 1011 დელეგატი გადამწყვეტი ხმით (მ. შ. 970 კომუნისტი, 35 უპარტიო, 3 რევ. კომუნისტი და სხვ.) და 355 სათათბირო (მ. შ. 308 კომუნისტი, 26 უპარტიო, 21 წერილობურად. პარტიების წარმომადგენელი) ხმის უფლებით. მონაწილეობდნენ
















ტ. ტიციანი. **1.** „ბაკქანალია". 1520-იანი წლების დასაწყისი. პრადო. მადრიდი. **2.** მამაკაცის პორტრეტი. დაახლ. 1508. ეროვნული გალერეა ლონდონი. **3.** ქალის პორტრეტი. ნახატი. დაახლ. 1515—20-იანი წლები. უფიცის გალერეა. ფლორენცია. **4.** ვენდრამინის საოჯახო პორტრეტი დაახლ. 1550. ეროვნული გალერეა. ლონდონი.


სტ. ტინტორეტო. **5.** „ფეხთა ბანა". ფრაგმენტი. 1540-იანი წლების II ნახევარი. პრადო. მადრიდი. **6.** „ქრისტე მართასა და მარიამთან ერთად". 1580. ძველი პინაკოთეკა. მიუნხენი. **7.** „ელენეს მოტაცება". დაახლ. 1590. პრადო. მადრიდი.















სტ. საცხოვრებელი. 1. არქიტექტორები მ. მოტოლიოვი, ბ. ბლოხინი და სხვ. ინჟინრები ვ. კარდოსისოევი და სხვ. საცხოვრებელი კომპლექსი ყოფილ დანგაუროვკის რ-ნში. მოსკოვი. 1929–35. 2. ვ. ურბანსკი, ე. კაუფმანი და სხვ. საცხოვრებელი კომპლექსი ლიუტენ-კლაინში (გდრ). 1967. 3. ბ. ტომალევსკი და სხვ. ვ. ზაიმოვის სახ. საცხოვრებელი კომპლექსი. სოფია. 1958. 4. ტ. რუდანსკაია, ე. ნორკი, დ. ოლენძსკაია. საცხოვრებელი „ზღვისპირეთის" რ-ნი. გდანსკი. 1968. 5. სახლი-„ლუქსი" (მაღაზიებით, სახელოსნოებით, გარაჟებით და ბაღით). ვინია-კლარას საცხოვრებელი კომპლექსი. რომი. 1950-იანი წლები. 6. ქვემო ალგანი (ახმეტის რ-ნი). საცხოვრებელი სახლი. 1940. 7. თელავი. საცხოვრებელი სახლები. XIX ს. 8. სვანეთი. სოფ. უშგული. კოშკებიანი საცხოვრებელი სახლები. 9. არქიტექტორები შ. ყავლაშვილი, მ. გუგუნავა. საცხოვრებელი სახლები სანაპიროზე. თბილისი. 1973. 10. არქიტექტორები რ. ბაირამაშვილი, ნ. შოშიტაიშვილი. საცხოვრებელი სახლები ვარაზისხევში. თბილისი. 1968.




















ე. *საფრანგეთი (I)*. **1.** ლა-მანშის კლდოვანი სანაპირო ეტრეტის ხლობლად. **2.** მწვერვალი პიუი-დე-დომი საფრანგეთის ცენტრალურ მასივში. **3.** სანაოსნო არხი ჩრდილოეთ საფრანგეთში, დიუნკრკის მახლობლად. **4.** შამონის ხეობაში, მონბლანის მთის ძირას. დიჟონი. ქალაქის ცენტრალური ნაწილი. **6.** მარსელის ნავსადგური. **7.** ბრეტანის ნახევარკუნძული. ნავსადგური სენ-მალო. **8.** პირენეები. **9.** პარიზი. კუნძული სიტე. **10.** ზვრები შამპანის პროვინციაში.
















10















სტ. საფრანგეთი (*II*). **1.** ნოტრ-დამის ეკლესია. პარე-ლე-მონიალი (ბურგუნდია). ძირითადი მშენებლობა—XI ს. **2.** რატუშა. სენ-კანტენი (პიკარდია). 1351—1509. **3.** შ. გარნიე. თეატრი „გრანდ-ოპერა". 1861—75. **4.** ტაძარი. ვეზონ-ლა-რომენი (პროვანსი). ძირითადი მშენებლობა VII ს. **5.** გ. ჟილე. ნოტრ-დამის ეკლესია. რუაიანი. 1954—59. **6.** „ვილპელმ დამპყრობლის ფლოტი ლა-მანშის სრუტის გადაცურვისას". „ბაიეს ხალიჩა". დეტალი. დაახლ. 1080. დედოფალ მატილდას მუზეუმი. ბაიე. **7.** ლა-მადლენის ეკლესიის დასავლეთის პორტალის ტიმპანის დეტალი. ვეზლე (ბურგუნდია). დაახლ. 1130—38. **8.** ა. ვატო. „იტალიური კომედიის მსახიობები". 1720. ხელოვნების ეროვნული გალერეა. ვაშინგტონი. **9.** გ. კურბე. „ახალგაზრდა ქალები სენის პირას". 1856. პტი პალეს მუზეუმი. პარიზი. **10.** ა. ბურდელი. „საფო". თაბაშირი. 1924—25. ბურდელის მუზეუმი. პარიზი. **11.** სცენა ვალანსიენური მისტერიიდან. **12.** „ფრაკასი" („კაპიტანი ფრაკასი") თ. გოტიეს მიხედვით. თეატრი „კომპანი დიუ კოტურნი". 1974 (გასტროლები სსრკ-ში). **13.** სცენა „გრანდ ოპერის" სპექტაკლიდან. **14.** ჟარას ბალეტიდან. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი". 1965. კადრები ფილმებიდან: **14.** „პარიზის გარეუბანში". რეჟ. რ. კლერი, 1957. **15.** „დიდი გასეირნება", რეჟ. ჟ. ური. 1968.




























სტ. *საჩხერის რაიონი. (I).* **1.** მდ. ყვირილის ხეობა სოფ. ჭალასთან. **2.** საჩხერის საერთო ხედი. **3.** სოფ. ჭალა. **4.** სოფ. არგვეთი. **5.** სოფ. საირხის კოლმეურნეობის სიმინდის ყანები. **6.** სოფ. ცხომარეთის ერთ-ერთი უბანი. **7.** სოფ. ჩიხის კოლმეურნეობის ზვრები. **8.** სოფ. ქვედა ორღული. კოლმეურნეობის სატბორე მეურნეობა. **9.** საჩხერის სასურსათო კომბინატის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი საამქრო. **10.** საჩხერის სასურსათო კომბინატის საკონსერვო საამქრო. **11.** საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკა. **12.** საჩხერის ღვინის ქარხანა.




























სტ. საჩხერის რაიონი (*II*). **1.** ქ. საჩხერე. ადმინისტრაციული შენობა. **2.** სოფ. არგვეთის პ. იაშვილის სახელობის საშუალო სკოლა. **3.** ქ. საჩხერე. კულტურის სახლი. **4.** სოფ. კვერეთი. დასასვენებელი სახლი. **5.** სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე. **6.** სოფ. სხვიტორი. აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი. **7.** მოდინახეს ციხე. XVIII ს. **8.** ჯრუჭის მონასტერი. განივთარებული შუა საუკუნეები. განახლებულია XIX ს.








7


















სტ. სევრის ფაიფური. **1.** „ბიჭუნა ძნით (ზაფხული)". 1746–50. **2.** ფ უ რ ნ ი ე. „წყაროს ნიმფა". 1749. ლუვრი. პარიზი. **3.** გ რ ა ვ ა ნ ი და დ ე ბ ა ე რ ე. „მარი ჟოზეფ საქსონიელის თაიგული". 1749. მუზეუმი „მწვანე საგანძური". დრეზდენი. **4.** ფარდინიერი (საყვავილე). 1761. **5.** ე. ფ ა ლ კ ო ნ ე. „მობანავე ქალი". 1756. **6.** „სიყვარული სიჭაბუკის ტყვე". 1799. **7.** ლარნაკი. 1760. **8.** ლ. ბ უ ა ზ ო. სანათური „ფილოსოფოსი". 1780. **9.** ფ. ჰ ო ლ მ ზ ი. ლანგარი და სურა. 1913. **10.** ე. ფ ა ლ კ ო ნ ე. „ნადირობა". 1758 (1,5,6,8,10–ერმიტაჟი. ლენინგრადი, 4,7–ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი. ლონდონი).























სტ. სენეგალი. **1.** სენ-ლუის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა. **2.** ლურჯ-თეთრი ქსოვილი. XIX ს. დასასრ. XX ს. დასაწყ. ბრიტანეთის მუზეუმი. ლონდონი. **3.** ხალხური საცხოვრებელი. **4.** მეჩეთი. რიუფისკი. XX ს. I ნახევარი. **5.** სავაჭრო პალატა. დაკარი. **6.** ადმინისტრაციული შენობა განთავისუფლების მოედანზე. დაკარი. **7.** „შველი". ხე. **8.** ამადუ იორო ბა. „კომპოზიცია". ნახატი. ტუში. **9.** ბაბა იბრა ტალი. „პორტრეტი". **10.** იბუ დიუფი. „ლურჯი ადამიანების დაბრუნება". (6—10—1950—60-იანი წლები).

დელეგატები საბჭ. უკრაინიდან, თურქესტანისა და ბაშკ. ავტონ. რესპუბლიკებიდან. დღის წესრიგი: სრულიად რუს. ცაკისა და სახ. კომისართა საბჭოს ანგარიში (ვ. ი. ლენინი); სამხ. მდგომარეობა (ლ. ტროცკი); კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ (გ. ზინოვიევი); სასურსათო მდგომარეობა (ა. ციურუპა); სათბობის საკითხი (ა. რიკოვი); საბჭ. მშენებლობა ცენტრში და ადგილზე (ლ. კამენევი); სრულიად რუს. ცაკის არჩევნები.

ვ. ი. ლენინმა საანგარიშო მოხსენებაში გააანალიზა საბჭ. ქვეყნის საერთაშ. და საშინაო მდგომარეობა, მაღალი შეფასება მისცა წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე; დასახა ამოცანა მთავარი ყურადღება მიექციათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და სამეურნეო მშენებლობის პრობლემებისადმი. ყრილობამ მოიწონა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. დადგენილებაში „საბჭოთა მშენებლობის შესახებ“ გათვალისწინებული იყო სახელმწ. აპარატის შემდგომი განმტკიცება, საბჭ. დემოკრატიის გაფართოების გზები, დაზუსტდა საბჭ. წელისუფლების ორგანოების ფუნქციები ცენტრსა და ადგილებზე. მიიღეს რეზოლუციები რსფსრში სასურსათო და სათბობის საქმეთა ორგანიზაციის შესახებ, ვ. ი. ლენინის ინიციატივით ყრილობამ სპეც. რეზოლუციაში მოუწოდა ანტანტას, აშშ-ს, იაპონიას, იტალიას დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება; რეზოლუციაში „ჩაგრული ერების შესახებ“ გამოხატა ერთვნ. საკითხში ბოლშევიკური პროგრამის პრინციპებისადმი ერთგულება, დაგმო თეთრი ტერორი უნგრეთში, მიესალმა III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნას. მიიღო მიმართვა „წითელი არმიისა და წითელი ფლოტისადმი“, „მშრომელი გლეხობისადმი“ (მუშათა კლასთან კავშირის განმტკიცების მიზნით), დონის, ყუბანის, თერგის, ურალის, ციმბირის, ორენბურგის მშრომელი კაზაკებისადმი (მოუწოდებდნენ საბჭ. ხელისუფლების მხარეზე გადასვლას). აირჩიეს სრულიად რუს. ცაკი 201 წევრისა და 68 კანდიდატის შემადგენლობით.

სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობა, მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა, წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ თ ა და კ ა ზ ა კ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს VIII ყ რ ი ლ ო ბ ა, მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წ. 22—29 დეკ. ესწრებოდა 2537 დელეგატი. მ. შ. 2284 კომუნისტი, 67 კომუნისტების თანამგრძნობი, 98 უპარტიო, 8 მენშევიკი, 8 ბუნდელი, 2 ემარცხენე ესერი, დანარჩენი — სხვა პარტიის წევრები. დღის წესრიგი: სრულიად ცაკისა და სახ. კომისართა მოხსენება საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ (ვ. ი. ლენინი); მრეწვ. მდგომარეობა და მისი აღდგენის ღონისძიებები (ა. რიკოვი); ელექტრიფიკაციის შესახებ (გ. კრჟიჟანოვსკი); ტრანსპორტის შესახებ (ლ. ტროცკი); სოფ. მეურნ. წარმოების განვითარებისა და გლეხთა მეურნ. დახმარების შესახებ (ი. ტეოდოროვიჩი). საბჭ. ორგანოების მოღვაწეობის გაუმჯობესების შესახებ ცენტრსა და ადგილებზე, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან (გ. ზინოვიევი); სრულიად რუს. ცაკის არჩევნები. ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. მოხსენებაში ლენინმა შეაჯამა სამოქალაქო ომის შედეგები და დასახა ქვეყნის წინაშე მდგომი ძირითადი პოლიტ. და სამეურნეო ამოცანები. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია მთავრობის პოლიტიკის მხარდასაჭერად, აგრეთვე დადგენილებები სახ. მეურნ. და მრეწვ. დარგებში. ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო რუს. ელექტრიფიკაციის გეგმის (გოელრო) განხილვა და დამტკიცება, რ-იც ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და მითითებით იყო შედგენილი. ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა კანონპროექტები, რ-ებიც ეხებოდა სოფ. მეურნეობასა და ტრანსპორტს, მიიღო ახ. დებულება შრომისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ. ყრილობამ აირჩია ცაკი 300 წევრისა და 100 კანდიდატის შემადგენლობით, დაამტკიცა შრომის წითელი დროშის ორდენი.

სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობა, მიმდინარეობდა 1921 წ. 23—28 დეკ. მოსკოვში. ესწრებოდა 1991 დელეგატი, მ. შ. 1630 გადამწყვეტი ხმით [1522 რკპ (ბ) წევრი და კანდიდატი; მუშა 39%, გლეხი 20%, მოსამსახურე 32,5%, დანარჩენი 8,5%]. დღის წესრიგი: სრულიად რუს. ცაკისა და სახკომსაბჭოს საანგარიშო მოხსენებები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში (ვ. ი. ლენინი); მოხსენებები დამშეულთათვის დახმარების გაწევის (მ. კალინინი), ახ. ეკონ. პოლიტიკის წინასწარი შედეგების (ლ. კამენევი), მრეწვ. მდგომარეობის (პ. ბოგდანოვი), სოფ. მეურნ. აღდგენის (ნ. ოსინსკი), კოოპერაციის (ლ. ხინჩუკი), ბიუჯეტისა და ფინანსების (ნ. კრესტინსკი), წითელი არმიის მშენებლობის (ლ. ტროცკი), საბჭ. მშენებლობის (ტ. სპარონოვი) შესახებ, სრულიად რუს. ცაკის არჩევნები. განიხილეს მთავრობის დეკრეტი ელექტრიფიკაციის შესახებ (გ. კრჟიჟანოვსკი). ყრილობამ მოიწონა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, დასახა ღონისძიებები შიმშილობასთან საბრძოლველად, შეაჯამა ახ. ეკონ. პოლიტიკის 10 თვის შედეგები; მთავარ ამოცანად მიიჩნია სოფ. მეურნ. აღმავლობა და განსაზღვრა მისი განვითარების გზები; მოიწონა დირექტივები მძიმე მრეწვ. აღდგენისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების თაობაზე, დაამტკიცა დეკრეტი „ელექტრიფიკაციის შესახებ“; მიიღო გადაწყვეტილება ფინანსებისა და ბიუჯეტის (ქაღალდის ფულის გამოშვების შეზღუდვა და სხვ.) შესახებ; მოიწონა წითელი არმიის შემცირებისა და მისი შეიარაღების და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ხაზი; აირჩია სრულიად რუს. ცაკი (386 წევრი და 127 კანდიდატი), რ-შიც პირველად შევიდნენ საქართვ., აზერბ. და სომხ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკების წარმომადგენლები.

სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობა, მიმდინარეობდა 1922 წ. 23—27 დეკ. მოსკოვში. ესწრებოდა 1727 დელეგატი რსფსრ-იდან და 488 საპატიო სტუმარი უკრ. სსრ-იდან, ბელორ. სსრ-სა და ამიერკავკ. სფსრ-იდან — სსრკ საბჭოების I ყრილობის დელეგატები. პარტ. შემადგენლობა: 2092 რკპ (ბ) წევრი და კანდიდატი, 118—უპარტიო, 5 სხვა პარტიის წევრი; სოც. შემადგენლობა: მუშა 44%, გლეხი 31%, მოსამსახურე და სხვ. 25%. დღის წესრიგი: სრულიად რუს. ცაკისა და სახკომსაბჭოს ანგარიშები საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ (ლ. კამენევი); მრეწვ. მდგომარეობა (პ. ბოგდანოვი, სრულიად რუს. სახ. მეურნ. საბჭოს თავრე); მიწათმოქმედების სახკომის მოხსენება (პ. მესიაცევი); სახ. განათლება (ა. ლუნაჩარსკი); მოხსენება ფინანსების შესახებ (გ. სოკოლნიკოვი); მოკავშირე რესპუბლიკების წინადადება სსრკ-ის შექმნის შესახებ (ი. სტალინი); სრულიად რუს. ცაკის არჩევნები. ყრილობამ მოიწონა რსფსრ მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, წინადადება სოციალ. რესპუბლიკების სსრ კავშირად გაერთიანების შესახებ; აირჩია დელეგაცია სსრკ საბჭოების I ყრილობის დეკლარაციის პროექტისა და სსრკ-ის შექმნის შესახებ ხელშეკრულების პროექტის შესამუშავებლად; დაამტკიცა პროექტი მძიმე მრეწვ. მდგომარეობის, სოფ. მეურნ. განმტკიცებისა და განვითარების შესახებ. პირველად დასახა ფართო პროგრამა სახ. განათლების დარგში. შეიმუშავა ბიუჯეტში დეფიციტის ლიკვიდაციის ღონისძიებები; მიიღო დადგენილება შიმშილობასთან ბრძოლის საკითხში ცენტრ. კომისიის მუშაობის თაობაზე; მსოფლიოს ხალხებს მოუწოდა მშვიდობისაკენ და დაადასტურა საბჭ. ხალხების ერთგულება მისდამი. აირჩიეს სრულიად რუს. ცაკი (270 წევრი და 118 კანდიდატი).

სრულიად რუსეთის საბჭოების XI ყრილობა, მიმდინარეობდა 1924 წ. 19—29 იანვ. მოსკოვში. ესწრებოდა 1637 დელეგატი, მ. შ. 1143 გადამწყვეტი ხმით; სოც. შემადგენლობა: 834 მუშა, 423 გლეხი. დღის წესრიგი: მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება (ა. სვიდერსკი); მოხსენება შრომისა და ხელფასის დაცვის საკითხებზე (ვ. შმიდტი); ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენება რსფსრ ბიუჯეტის შესახებ (მ. ვლადიმიროვი); საკავშ. კონსტ. შესახებ (დ. კურსკი); წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ (ა. ლუნაჩარსკი). სრულიად რუს. ცაკის წევრთა არჩევის შესახებ (ა. ენუქიძე).

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენებაში (20 იანვ.) გაშუქებული იყო საბჭ. მთავრობის საქმიანობა სას.-სამ. პოლიტიკის დარგში. ყრილობამ დასახა თვითმოქმედებისა და კოოპერირების საწყისებზე გლეხთა მასების სოფ. მეურნ. აღდგენის საქმეში ჩაბმის ღონისძიებანი. შრომის სახ. კომისარიატის მოხსენების გამო (21 იანვ.) ყრილობამ დაამტკიცა 8-საათიანი სამუშაო დღის შეუცვლელობა, ქალებისა და ბავშვების შრომის ყოველმხრივი დაცვა და სხვ. მიიღო გადაწყვეტილება მრეწვ. აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად ხელფასის გადიდების შესახებ. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება უმუშევრობის დაუყოვნებლივ შესამცირებლად. 22 იანვ. ყრილობაზე გამოვიდა მ. კალინინი ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ყრილობამ მიიღო დადგენილება 21 იანვ. გლოვის დღედ გამოცხადების შესახებ, მიიღო მიმართვა „ყველა მშრომელისადმი,“ მოუწოდა ერთიანობისა და შეკავშირებისაკენ. ერთი კვირით შეწყდა სხდომები. 29 იანვ. ყრილობა კვლავ შეუდგა მუშაობას და მოიწონა სსრკ კონსტიტუცია, ამასთანავე სრულიად რუს. ცაკს დაავალა რსფსრ კონსტიტუციაში (1918) შეეტანა შესაბამისი ცვლილებანი. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენების გამო (29 იანვ.) ყრილობამ დასახა ამოცანა, ოქტ. რევ. მე-10 წლისთავისათვის რსფსრ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. სრულიად რუს. ცაკის შემადგენლობაში აირჩიეს 303 წევრი და 163 კანდიდატი.

სრულიად რუსეთის საბჭოების XII ყრილობა, მიმდინარეობდა 1925 წ. 7—16 მაისს მოსკოვში. ესწრებოდა 1634 დელეგატი (მ. შ. 1084 გადამწყვეტი ხმით, 1292 კომუნისტი). მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები ჯანმრთელობის დაცვის (ნ. სემაშკო), ფინანსთა (ნ. მილიუტინი), მიწათმოქმედების (ა. სვიდერსკი) სახ. კომისარიატების მუშაობის შესახებ, რსფსრ კონსტ. ტექსტში ცვლილების შესახებ (დ. კურსკი), თურქესტ. ასსრ-ის რსფსრ-იდან გამოსვლისა და თურქმ. და უზბ. მოკავშირე რესპუბლიკების ჩამოყალიბების შესახებ (ა. კისელიოვი). აირჩიეს სრულიად რუს. ცაკი; დღის წესრიგიდან მოიხსნა რსფსრ მთავრობის მოხსენება, რამდენადაც ყრილობის მთელ შემადგენლობას შეეძლო მონაწილეობის მიღება სსრკ საბჭოების III ყრილობის მუშაობაში (1925), სადაც დღის წესრიგში იყო სსრკ მთავრობის ანგარიში.

ყრილობამ მოიწონა რსფსრ მთავრო-

ბის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აღნიშნა მიღწევები სახ. მეურნეობაში; მიიღო პროგრამა სოფ. მეურნ. შემდგომი განვითარების შესახებ (ერთიანი სას.-სამ. გადასახადის 40%-ით შემცირება და სხვ.), აგრეთვე ეროვნ. რესპუბლიკებსა და ოლქებში სამედ. და სანიტ. მუშაობის გაუმჯობესების, ეროვნ. სამედ. კადრების მომზადების შესახებ. დამტკიცდა რსფსრ ახ. კონსტიტუცია.

სრულიად რუსეთის საბჭოების XIII ყრილობა, მიმდინარეობდა 1927 წ. 10—16 აპრ. მოსკოვში. ესწრებოდა 1603 დელეგატი (მ. შ. 1088 გადამწყვეტი და 515 სათათბირო ხმით). პარტ. შემადგენლობა: 1194 რკპ (ბ) წევრი, 409 უპარტიო. სოც. შემადგენლობა: მუშა 49,4%, გლეხი 29,1% მოსამსახურე და სხვ. 21,5%. დღის წესრიგი: რსფსრ მთავრობის ანგარიში (ა. რიკოვი); მოხსენებები რსფსრ სრულიად რუს. სახ. მეურნ. საბჭოსი — მრეწვ. მდგომარეობის შესახებ (ს. ლობოვი); რსფსრ ფინანსთა სახ. კომისარიატისა — სახელმწ. და ადგილ. ბიუჯეტების შესახებ (ნ. მილიუტინი); რსფსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატისა — საგარეო და საშინაო ვაჭრობისა და რსფსრ-ში ფასების დაკლების შესახებ (ნ. ეისმონტი); რსფსრ განათლების სახ. კომისარიატისა — რსფსრ-ში სახ. განათლების საერთო მდგომარეობის შესახებ (ა. ლუნაჩარსკი); რსფსრ კონსტიტუციაში 37-ე, 38-ე და 47-ე მუხლების შეცვლის შესახებ (ა. კისელიოვი); ყარაყირგ. ავტონ. ოლქის ყირგ. ავტონ. რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ (ს. ასფენდიაროვი); სრულიად რუს. ცაკისა და სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოში რსფსრ-იდან წევრთა არჩევის შესახებ (ა. კისელიოვი). ყრილობამ ერთხმად მოიწონა რსფსრ მთავრობის მოღვაწეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში; ძირითადი ყურადღება დაეთმო რსფსრ სახ. მეურნ. და კულტ. განვითარების ამოცანებს; აღნიშნა მრეწვ., ტრანსპ. და სოფ. მეურნ. დარგების განვითარებაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები; მიიღო დადგენილება მრეწვ. რეკონსტრუქციის შემდგომი გაშლის თაობაზე; დაავალა მთავრობას სოფ. მეურნ. აღმავლობისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება. ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში მოიწონა მთავრობის საფინანსო პოლიტიკა. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოხსენებასთან დაკავშირებით ყრილობამ დასახა სამრეწვ. საქონელზე ფასების შემდგომი დაკლებისა და ვაჭრობიდან კერძო მოვაჭრეთა შემდგომი განდევნის ამოცანა; მიიღო დადგენილება სახ. განათლების შემდგომი განვითარებისა და რსფსრ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს (ცსს) შექმნის შესახებ. სპეც. აქტით დამტკიცდა XII მოწვევის სრულიად რუს. ცაკის III სესიის დადგენილება ყარა-ყირგ. ავტონ. ოლქის ყირგ. ასსრ-დ გარდაქმნის თაობაზე. აირჩია სრულიად რუს. ცაკი (400 წევრი და 150 კანდიდატი), აგრეთვე 5 წევრი და 2 კანდიდატი სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში რსფსრ-იდან.

სრულიად რუსეთის საბჭოების XIV ყრილობა, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის XIV ყრილობა, მიმდინარეობდა 1929 წ. 10—16 მაისს მოსკოვში. ესწრებოდა 1156 დელეგატი გადამწყვეტი და 626 სათათბირო ხმით. სოც. შემადგენლობა: მუშა 57,1%, გლეხი 25%, მოსამსახურე 17,9%; პარტ. შემადგენლობა: საკ. კპ(ბ) წევრი და კანდიდატი. 70,7%, საკ. ალკკ წევრი და კანდიდატი 1,2%, უპარტიო 28,1% დღის წესრიგი: რსფსრ მთავრობის მოხსენება (ა. რიკოვი); რეს. სახ. მეურნ. განვითარების ხუთწლიანი გეგმა (ა. ლეჟავა); კულტ. მშენებლობის მიმდინარე ამოცანები (ა. ლუნაჩარსკი); საბჭ. წიგნი 10 წლის მანძილზე (ა. ხალატოვი); საბჭოების პირველადი რგოლის მდგომარეობა და განმტკიცება (ა. კისელიოვი); რსფსრ კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ (ი. პოლუიანი); სრულიად რუს. ცაკის არჩევნები.

ყრილობამ მოიწონა რსფსრ მთავრობის საქმიანობა; მიიღო რსფსრ სახ. მეურნ. განვითარების I ხუთწლიანი გეგმა (1929—32); დადებითად შეაფასა რა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპები, დაავალა მთავრობას გაეძლიერებინა ბრძოლა სოფ. მეურნ. სოციალ. გარდაქმნისათვის, მოუწოდა ქალაქისა და სოფლის მშრომელებს აქტ. მონაწილეობა მიეღოთ ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, ყოველმხრივ განევითარებინათ სოციალ. შეჯიბრება. კულტ. მშენებლობის შესახებ დადგენილებაში ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა საყოველთაო დაწყებითი სავალდებულო განათლების განხორციელებასა და მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. სახ. მეურნ. სოციალ. რეკონსტრუქცია მოითხოვდა სახელმწ. აპარატის, პირველ რიგში, ხელისუფლების ადგილ. ორგანოების, მუშაობის გაუმჯობესებას. ამიტომ სრულიად რუს. ცაკს დაევალა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა სოფ. საბჭოების დებულება ხასობრივ-ორგანიზაციულ, სამეურნეო და კულტ. მუშაობაში მათი უფლებების გაფართოების, აგრეთვე გლეხთა ყოველდღიურ საჭიროებათა უკეთ მომსახურების მიზნით. მასვე დაევალა შეემუშავებინა ღონისძიებანი კულაკთა ტერორისტულ და სხვა მსგავს მოქმედებათა, საერთოდ რევ. კანონიერ დამრღვევთა წინააღმდეგ. ყრილობამ დაადგინა აგრეთვე უცხო ელემენტებისაგან საბჭ. აპარატის წმენდისა და საბჭ. ორგანოებში მუშათა, მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშ. გლეხთა აქტივის რიგებიდან ახ. კადრების დაწინაურების აუცილებლობა, იმასთან დაკავშირებით, რომ შემოიღეს ახ. ადმ.-ტერ. დაყოფა და გაფართოვდა ადგილ. საბჭოების როლი, რსფსრ კონსტიტუციაში შეიტანეს ზოგიერთი ცვლილება და დამატება. აირჩიეს სრულიად რუს. ცაკი 400 წევრისა და 150 კანდიდატის შემადგენლობით.

სრულიად რუსეთის საბჭოების XV ყრილობა, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის XV ყრილობა, მიმდინარეობდა 1931 წ. 26 თებ. — 5 მარტს მოსკოვში. ესწრებოდა 1134 დელეგატი გადამწყვეტი და 538 სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებს შორის იყო 802 რკპ (ბ) წევრი, 33 კომკავშირელი, 299 უპარტიო; 610 მუშა, 317 გლეხი, დანარჩენი — მოსამსახურე. დღის წესრიგი: რსფსრ მთავრობის საანგარიშო მოხსენება (დ. სულიმოვი); რსფსრ კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ (ა. კისელიოვი); საყოველთაო სწავლება და მასობრივი სკოლის პოლიტექნიზაცია (ა. ბუბნოვი); მოხსენება სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ (ი. ზელენსკი); ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება (მ. შკირიატოვი); სრულიად რუს. ცაკსა და სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოს წევრთა არჩევნები.

ყრილობამ შეაჯამა ხუთწლედის პირველი 2 წლის შედეგები. ეკონ. მიღწევებმა ამ პერიოდში განაპირობა სოციალ. მშენებლობის დაჩქარებული ტემპი. მთავრობას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა ქვეყნის აღმოსავლეთში მეორე მეტალ. ბაზის მშენებლობისა და საკოლმ. და საბჭ. მეურნეობების მშენებლობის შემდგომი გაფართოებისადმი. დიდი ადგილი დაეთმო ავტონ. რესპუბლიკებისა და ოლქების დაჩქარებული ეკონ. და კულტ. განვითარების საკითხებს, რათა ისინი დასწეოდნენ ამ მხრივ რუს. ცენტრ. რ-ნებს. ადმ. ცვლილებებთან დაკავშირებით რსფსრ კონსტიტუციაში შეიტანეს ზოგიერთი დამატება. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენების გამო ყველა საბჭ. და სამეურნეო ორგანიზაციას დაევალა ბრძოლა საყოველთაო დაწყებითი განათლებისათვის, სკოლების პოლიტექნიზაციისათვის, წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის. აირჩიეს სრულიად რუს. ცაკი (400 წევრი) და 5 წარმომადგენელი სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოში.

სრულიად რუსეთის საბჭოების XVI ყრილობა, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის XVI ყრილობა, მიმდინარეობდა 1935 წ. 15—23 იანვ. მოსკოვში. ესწრებოდა 1748 დელეგატი (1293 გადამწყვეტი ხმით; მ. შ. მუშა 39,2%, გლეხი 22,9%, მოსამსახურე 37,9%; საკ. კპ (ბ) წევრი 71,3%; კომკავშირელი 4,9%, უპარტიო 23,8%; წარმოდგენილი იყო 48 ეროვნება). დღის წესრიგი: რსფსრ მთავრობის ანგარიში (დ. სულიმოვი); კომუნ. მეურნ. მდგომარეობისა და რსფსრ-ში მისი შემდგომი განვითარების შესახებ (ნ. კომაროვი); სახ. ჯანმრთელობის დაცვა და შემდგომი ამოცანები (გ. კამინსკი); თათრ. ასსრ ცაკის მოხსენება საბჭ. სამეურნეო და კულტ. მშენებლობის შესახებ (გ. ბაიჩურინი); რსფსრ კონსტიტუციაში ცვლილებათა შესახებ (ა. კისელიოვი); სრულიად რუს. ცაკისა და რსფსრ-იდან სსრკ-ის კავშირების საბჭოს წევრთა არჩევნები.

ყრილობამ მოიწონა რსფსრ სახკომსაბჭოს მუშაობა, აღნიშნა I ხუთწლიანი გეგმის (1929—32) ვადამდე და II ხუთწლიანი გეგმის (1933—37) 2 წლის გეგმის (1933—34) წარმატებით შესრულება; დაავალა მთავრობას ყოველმხრივ შეეწყო ხელი ადგილ. მრეწვ. და სამრეწვ. კოოპერაციის სწრაფი განვითარებისათვის. დააყენა მტკ-ების მიერ ყველა კოლბის მომსახურებისა და რსფსრ მთელ ტერიტორიაზე კოლექტივიზაციის დამთავრების ამოცანა. მიიღო დადგენილება სამედ. კადრების მომზადებისა და სოფლად ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. თათრ. ასსრ ცაკის მოხსენებასთან დაკავშირებით ყრილობამ დაავალა რსფსრ და თათრ. ასსრ მთავრობებს რესპ. სამეურნეო და კულტ. მშენებლობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფა. დამტკიცდა სრულიად რუს. ცაკის დადგენილება ყარაყალპაკეთის, მორდ. და უდმ. ავტონ. ოლქების ავტონ. სოციალ. რესპუბლიკებად გარდაქმნის შესახებ. აირჩიეს სრულიად რუს. ცაკი (401 წევრი). სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოში რსფსრ-იდან შევიდა 5 კაცი.

გ. ბოსტოლანაშვილი.

სრულიად რუსეთის საბჭოების XVII (საგანგებო) ყრილობა, მიმდინარეობდა 1937 წ. 15—21 იანვ. მოსკოვში. ესწრებოდა 1338 დელეგატი, რ-ებიც წარმოადგენდნენ 34 ეროვნებას. სოც. შემადგენლობა: მუშა 47,6, გლეხი 16%, მოსამსახურე 36,4%. ყრილობა მოიწვიეს რსფსრ ახ. კონსტ. განხილვისა და დამტკიცების მიზნით, რ-ის პროექტი შეიმუშავეს სსრკ საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრკ კონსტ. ტექსტის შესაბამისად. რსფსრ ახ. კონსტ. მიღების საჭიროება გამომდინარეობდა იმ ეკონ. და სოც. ცვლილებებიდან, რ-იც მოხდა რესპ. და ქვეყნის ცხოვრებაში: ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაცია, საბჭ. სოც-ბის მორალურ-პოლიტ. ერთიანობისა და სსრკ ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლო-

ჩის განმტკიცება. რსფსრ ახ. კონსტ. პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მ. კალინინი. კონსტ. საბოლოო ტექსტში შესწორებათა და დამატებათა განსახილველად შეიქმნა სარედაქციო კომისია 164 კაცის შემადგენლობით (თავ-რე მ. კალინინი). 1937 წ. 21 იანვ. დამტკიცდა რსფსრ ახ. კონსტ. ტექსტი. ყრილობამ მიიღო აგრეთვე დადგენილება, რ-იც ავალებდა XVI მოწვევის სრულიად რუს. ცაკს რსფსრ ახ. კონსტ. საფუძველზე შეემუშავებინა და დაემტკიცებინა დებულება არჩევნების შესახებ და განესაზღვრა რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დრო.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრრევოლუციასა და საბოტაჟთან ბრძოლისა, *სახელმწიფო უშიშროების* დაცვის სპეციალური ორგანო საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში. მოწოდებული იყო გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში აღეკვეთა კონტრრევოლუცია, საბოტაჟი, აგრეთვე სპეკულაცია და თანამდებობითი დანაშაული. ჩამოყალიბდა რსფსრ სახკომსაბჭოს 1917 წ. 7 (20) დეკ. დადგენილებით (თავ-რე ფ. *ძერჟინსკი*). 1918 შეიქმნა ს. რ. ს. კ-ის ადგილ. ორგანოები (საგუბერნიო, სამაზრო, სატრანსპ., საფრონტო და არმიის საგანგებო კომისიები) და დამტკიცდა დებულება. ს. რ. ს. კ. კონტრრევოლუციონერებს, მესაბოტაჟეებს სამხ.-რევ. ტრიბუნალის სასამართლოს გადასცემდა. მასობრივი თეთრი ტერორის დროს (1918 თებერვალში) მას უფლება მიეცა უშუალოდაც დაეხვრიტა რევ. აქტ. მტრები. 1919-იდან კი ს. რ. ს. კ-ის ყველა საქმეზე განაჩენის გამოტანა (განსაკუთრებული შემთხვევების გამოკლებით) ტრიბუნალებს გადაეცა. რსფსრ ცაკის 1922 წ. 6 თებ. დეკრეტით ს. რ. ს. კ. შინსახკომთან არსებულ სახელმწ. პოლიტსამმართველოდ გარდაიქმნა.

რსფსრ-ის მაგალითისაებრ, ანალოგიური საგანგებო კომისიები სხვა საბჭ. რესპუბლიკებშიც დაარსდა. საქართვ. საგანგებო კომისია შეიქმნა რესპ. რევკომის 1921 წ. 25—26 თებერვლის სხდომის დადგენილებით (მას ერქვა აგრეთვე რესპ. „საგანგებო-საგამომძიებლო კომისია", ხოლო ადგილ. ორგანოებს — „პოლიტბიურიები"). იმავდროულად განისაზღვრა საგანგებო კომისიის ფუნქციები, დადგინდა გაჩხრეკა-დაპატიმრების წესები. სპეც. დადგენილებით რევკომმა რესპ. საგანგებო კომისიას დააკისრა ბანდიტიზმის როგორც „ყველაზე საშიში კონტრრევოლუციის" აღკვეთა. საქართველოში, ისევე როგორც ამიერკავკასიაში საერთოდ, მწვავე კლასობრივი ბრძოლის გაბანგრძლივების გამო რესპ. საგანგებო კომისიის გარდაქმნა სახელმწ. პოლიტსამმართველოდ მხოლოდ 1926 განხორციელდა. *ი. ფუტკარაძე.*

„სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია", „მოსკოველების წრე", ინტელიგენტებისა და მოწინავე მუშების რევოლუციური ხალხოსნური ჯგუფი; ჩაისახა 1874 ციურიხში. ორგანიზაციამ აქტ. მოღვაწეობა დაიწყო 1875 დასაწყისში მოსკოვში. ხელმძღვ. ცენტრს ეწოდებოდა „ადმინისტრაცია". მოსკოველები ცდილობდნენ ერთიანი, მყარი ორგანიზაციის შექმნას, აყენებდნენ თვითმპყრობელობის დამხობისა და პოლიტ. თავისუფლების მოპოვების მოთხოვნებს, ეწეოდნენ პროპაგანდას მოსკ., ტულის, კიევის, ოდესისა და სხვა ქ-ების მუშათა შორის. ამ მიზნით, ს. ბარდინამ, ბ. კამინსკაიამ, ვ. ფიგნერმა და სხვ. დაიწყეს მუშაობა ფ-კებში და იქ შექმნეს მუშათა წრეები (5—7 კაცი). პირველ „ადმინისტრაციაში" შედიოდნენ ი. ჯაბადარი (განაგებდა მუშაობას როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ ინტელიგენციასთან), გრიაზნოვი (განაგებდა ურთიერთობას მუშებთან), სუბოტინა (განაგებდა საფინანსო საქმეებს). ხელმძღვ. ბირთვში შედიოდნენ აგრეთვე გ. წდანოვიჩი, (გ. მაიაშვილი), ა. ლუკაშევიჩი, პ. ალექსეევი, ბ. ბარინოვი, ნ. ვასილიევი, მ. ჩაკოიძე, ა. ციციანოვი (ეს ორი უკანასკნელი გაუზავნილი იყო კავკასიაში ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად), ა. გამყრელიძე და სხვ. პოლიციამ 1875 აპრ-ში გაიგო ორგანიზაციის არსებობა, ხოლო შემდგომაზე გაანადგურა იგი. 1877 მარტში მოეწყო ცნობილი „50-ის პროცესი", რ-საც ესწრებოდნენ კანცლერი თავადი გორჩაკოვი, იუსტიციის მინისტრი გრაფი პალენი, პრინცი ოლდენბურგსკი, თავადი შინგარეულსკი. პროცესზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა პ. ალექსეევმა, რ-იც ი. ჯაბადარისა და სხვ. დაჩმარებით დაწერა. ი. ჯაბადარის, გ. მაიაშვილის, მ. ჩაკოიძისა და სხვ. ერთად ყურადღებას იქცევდა ა. ციციანოვი (ციციშვილი), რ-საც სურდა მთელი თავისი უზარმაზარი ქონება (დაახლ. 200 ათ. მან. ღირებულებისა) შეეწირა რევ. საქმისათვის, მაგრამ დაპატიმრებამდე მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთის შეწირვა მოასწრო. დაპატიმრების დროს მან ესროლა ჟანდარმერიის კაპიტან ლივიაგინს. სასამართლოზე ორგანიზაციის წევრებმა წარმოთქვეს მგზნებარე სიტყვები, რ-ებმაც საზღვარგარეთის ქვეყნებში პოვეს გამოხმაურება.

ლიტ.: Ш в е ц о в З., ამიერკავკასიელები „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში" (1874—1876 წწ.), თბ., 1974; Д ж а б а д а р и И. С., Процесс 50-ти. «Былое», 1907, № 8, 9, 10; Л е в и н Ш. М., Общественное движение в России в 60—70-е гг. XIX в., М., 1958; М е г р е л и ш в и л и Г. И., Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. 1, Тб., 1960.

გ. ბოსტოღანაშვილი.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი (საკ. ალკაკ), საბჭოთა ახალგაზრდობის მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია. „იგი საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტიის აქტ. თანაშემწე და რეზერვია; ეხმარება პარტიას ახალგაზრდობის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდაში, ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობის მომზადებაში, რ-იც იცხოვრებს, იმუშავებს და საზ. საქმეებს განაგებს კომუნიზმის დროს" (საკავშირო ალკკ წესდება, 1975, გვ.3—4).

რუს. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი (რაკკ) შეიქმნა 1918 წ. 29 ოქტ. შუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების სრულიად რუს. I ყრილობაზე. 1924 ივლ. რაკკ-ს ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნა—რუს. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი (რალკკ). სსრკ-ის შექმნასთან დაკავშირებით (1922) 1926 მარტს კომკავშირს ეწოდა საკავშ. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი. საკ. ალკკ წესდების მიხედვით, კომკავშირში მიიღებიან 14-იდან 28 წლამდე ასაკის მოწინავე ახალგაზრდები. 1984 კომკავშირში იყო სსრკ ყველა ერისა და ეროვნების 42 მლნ-ზე მეტი ახალგაზრდა. 50 წლის განმავლობაში კომკავშირში პოლიტ. სკოლა გაიარა 100 მლნ-ზე მეტმა საბჭ. ადამიანმა. საკ. ალკკ არის კომუნისტური პარტიის საიმედო რეზერვი. საკ. ალკკ-ის მთავარი ამოცანაა დაეხმაროს პარტიას აღზარდოს ქალიშვილები და ჭაბუკები მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე, რევ. ბრძოლის გმირულ ტრადიციებზე, მუშების, კოლმეურნეების ინტელიგენციის თავდადებული შრომის მაგალითებზე, ჩაუნერგოს და განუმტკიცოს მოზარდ თაობას კლასობრივი მიდგომა საზ. ცხოვრების ყველა მოვლენისადმი, მოამზადოს კომუნიზმის მედგარი, ფრიად განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდა მშენებლები. კომკავშირის წმიდათაწმიდა, მოვალეობაა მოამზადოს ახალგაზრდობა სოციალ. სამშობლოს დასაცავად. კომკავშირი ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ზრდის პროლეტ. ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების, ყველა ქვეყნის ახალგაზრდობასთან მეგობრობის სულისკვეთებით. აქტიურად უწყობს ხელს ახალგაზრდობის მოძმე კომუნისტურ კავშირებთან ურთიერთობის განმტკიცებას, საერთაშ. დემოკრ. და პროგრ. ახალგაზრდობის მოძრაობის გაფართოებას.

საკ. ალკკ-ის ორგანიზაციული წყობის პრინციპია *დემოკრატიული ცენტრალიზმი*. კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები იქმნება საწარმოებში, კოლ-ბებში, საბჭ. მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებში, საბჭ. არმიისა და ფლოტის ნაწილებში. საკ. ალკკ-ის უმაღლესი ორგანოა საკავშ. ყრილობა. ყრილობებს შორის პერიოდში კავშირის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს *საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი*, რ-იც ირჩევს ბიუროსა და სამდივნოს. საკ. ალკკ თავის მუშაობას აგებს კოლექტ. ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების განუხრელი დაცვის, შინაკომკავშირული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, მისი ყველა წევრის ინიციატივისა და თვითმოქმედების ამაღლების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

ისტორიული ნარკვევი. საკ. ალკკ ისტორია, პროლეტ. ახალგაზრდობის მოძრაობა განუხრელადაა დაკავშირებული მუშათა კლასის რევ. ბრძოლის ისტორიასთან, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობისათვის მთელი საბჭ. ხალხის საქმიანობასთან.

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში მუშათა მოძრაობის გავლენით რუსეთში გააქტიურდა სტუდენტთა მოძრაობა. ახალგაზრდა მუშათა, აგრეთვე გლეხთა კლასობრივი თვითშეგნების გამოღვიძებაში, სტუდენტთა რევ. განწყობილების განვითარებაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის ბოლშევიკურ პარტიას.

ვ. ი. ლენინი პარტიის ყურადღებას ყოველთვის მიაპყრობდა ახალგაზრდობის რევ. აღზრდის ამოცანებზე. მის მიერ დაწერილ რსდმპ II ყრილობის რეზოლუციის პროექტში „მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ" აღნიშნული იყო, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სტიქიური მოძრაობა საჭიროებს პროლეტარულ რევოლუციონერთა დახმარებას. რუს. 1905—07 რევ. დროს ვ. ი. ლენინმა დაყენა მოწინავე ახალგაზრდობის, როგორც პარტიის რეზერვის, საკითხი. ბოლშევიკები ფ-კებში, ქ-ნებში, სოფლებში, ლეგალურ ორგანიზაციებში, ჯარისკაცთა ყაზარმებში, არალეგალურ წრეებში, მებრძოლ რაზმებში, გაფიცვების თუ დემონსტრაციების მომზადებისას დაუცხრომლად მუშაობდნენ ახალგაზრდობასთან. ბოლშევიკების მუშაობის შედეგად მომზადდა ახალგაზრდობის ფართო რევ. მოძრაობა. 1917 თებ. რევ. გამარჯვების შემდეგ პეტროგრადში, მოსკოვსა და სხვა სამრეწვ. ცენტრებში შეიქმნა მუშათა ახალგაზრდობის წრეები, კომიტეტები, ხოლო შემდეგ — კავშირები. ახალგაზრდა პროლეტარები ირაზმებოდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებით.

ახალგაზრდობის მოძრაობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რსდმპ (ბ) VI ყრილობამ (1917 ივლ.-აგვ.) რეზოლუციაში „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ" ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნა. პეტროგრ. მუშა ახალგაზრდობის სოციალ. კავშირი 15 ათ-მდე კაცს ითვლიდა, 1917 ოქტ-თვის მოსკ. მუშა ახალგაზრდობის კავშირი „III ინტერნა-

ციონალი" 2170 წევრს აერთიანებდა. 1917 ოქტ. — კიევის საქალაქო კონფერენციამ დაამტკიცა მუშა ახალგაზრდობის სოციალ. კავშირის „III ინტერნაციონალის" პროგრამა და წესდება. ბაქოში ს. შაუმიანის ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდობის ინტერნაც. კავშირი. 1917 სექტ-ში თბილისში რევ. ახალგაზრდობის დამფუძნებელ კრებაზე ჩამოყალიბდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა „სპარტაკის" ორგანიზაცია, რ-საც დიდ დახმარებას უწევდა მ. ცხაკაია. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის კავშირები შეიქმნა ხარკოვში, დონის როსტოვში, ზლატოუსტში, უფაში, ჩელიაბინსკში, ეკატერინბურგში, პერმში და სხვ. ოქტ. რევოლუციამ ძირეული გარდატეხა მოახდინა რუს. ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაში. საბჭ. ხელისუფლებამ პირველად ისტორიაში, ახალგაზრდა პროლეტარებს ფართო შესაძლებლობები მისცა საზ., პოლიტ. და ეკონ. ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭ. ხელისუფლების დეკრეტით, მოზარდებისათვის დაწესდა 6-საათიანი სამუშაო დღე, აიკრძალა 14 წლამდე ბავშვთა შრომა, დაწესდა ახალგაზრდობის საწარმოო სწავლება სახელმწიფოს ხარჯზე. მუშათა და მშრომელ გლეხთა ბავშვებისათვის ფართოდ გაიღო სამ. და უმაღლესი სკოლების კარები. ქვეყნის სოციალ. გარდაქმნებმა პარტიის წინაშე დააყენა ახალგაზრდობის ერთიანი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობის საკითხი. მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების სრულიად რუს. I ყრილობამ (1918 წ. 29 ოქტ. — 4 ნოემბ.) დაქსაქსული კავშირები საერთო რუს. ორგანიზაციად გააერთიანა ერთიანი ცენტრით, რ-იც რკპ (ბ)-ის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ყრილობამ მიიღო რუს. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის (რაკკ) პროგრამისა და წესდების ძირითადი პრინციპები. პირველად შეიქმნა ახალგაზრდობის ახ. ტიპის კომუნისტური ორგანიზაცია. რკპ (ბ) VIII ყრილობამ (1919) მიიღო სპეც. რეზოლუცია „ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ". რუს. ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა აქტ. მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო ომში. კომკავშირელები თავდადებით იბრძოდნენ მტრის ზურგში. იატაკქვეშა კომკავშირული ჯგუფები შექმნილი იყო ოდესაში, რიგაში, ეკატერინოდარში (კრასნოდარი), სიმფეროპოლში, დონის როსტოვში, ნიკოლაევში, თბილისში და სხვ. მრავალი კომკავშირელი გმირულად დაიღუპა ოქტ. რევ. მონაპოვრის დაცვისათვის ბრძოლებში. სსრკ ცაკის პრეზიდიუმის 1928 დადგენილებით, სამოქალაქო ომის ფრონტებზე 1919—20 პერიოდში თეთრგვარდიელი გენერლების კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, თეთრპოლონელებისა და ვრანგელის არმიების წინააღმდეგ საბრძოლო დამსახურებისათვის კომკავშირი წბთელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

კომკავშირი იბრძოდა საერთაშ. მუშათა ახალგაზრდული მოძრაობის შეკავშირებისათვის. რუს. აკკ-ის II ყრილობამ (1919 ოქტ.) მოწოდებით მიმართა მსოფლიო პროლეტ. ახალგაზრდობას შეექმნათ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი. რუს. აკკ-ის აქტ. მონაწილეობით 1919 ნოემბ. ბერლინში ჩატარდა საერთაშ. ახალგაზრდული კონგრესი, რ-მაც გამოაცხადა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. საბჭ. კომკავშირი მისი აქტ. წევრი გახდა.

სამოქალაქო ომის შემდეგ კომკავშირის წინაშე დადგა მშვიდობიანი, შემოქმედებითი საქმიანობისათვის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მომზადების ამოცანები. 1920 ოქტ-ში ჩატარდა რუს. აკკ-ის III ყრილობა. პარტიისა და კომკავშირის საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი თეორ. და საპროგრამო დოკუმენტი იყო ამ ყრილობაზე წარმოთქმული ვ. ი. ლენინის სიტყვა *„ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები"*.

რაკკ-ის III ყრილობა შემობრუნების პუნქტი იყო კომკავშირის ისტორიაში. კომკავშირმა თანდათანობით დაიწყო თავისი მუშაობის გარდაქმნა, მთელი მეცადინეობა წარმართა სოციალ. მშენებლობისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადასაწყვეტად. კომუნისტებისა და კომკავშირელებისაგან შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები. სოფლის კომკავშირელები მოსახლეობას განუმარტავდნენ საბჭ. ხელისუფლების დეკრეტებს, მონაწილეობდნენ მიწის ერთად დამუშავების ამხანაგობების შექმნაში, პროპაგანდას უწევდნენ მიწათმოქმედების მოწინავე მეთოდებს, იბრძოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, რელიგ. და წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, კერძო მესაკუთრული ფსიქოლ. დაძლევისათვის. სოფლად კომკავშირელები აწყობდნენ ქოხ-სამკითხველოებს, კლუბებს, ავრცელებდნენ წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, ფურცლებს, მონაწილეობდნენ პარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს პოლიტ. და კულტ. ღონისძიებათა გატარებაში. 1920 კომკავშირის ინიციატივით შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები კვალიფიციური მუშების მომზადებისა და მუშათა ფაკ-ტებზე (მუშფაკები) უმაღლესში შესასვლელად ახალგაზრდა მუშათა მომზადებისათვის.

20-იანი წწ. კომკავშირი გადაჭრით გამოვიდა ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ. რუს. აკკ-ის VI ყრილობამ (1924 იელისი) მიუთითა ახალგაზრდულ მოძრაობაში ტროცკიზმის სრულ განადგურებაზე, დაადგინა, რომ კომკავშირს ვ. ი. ლენინის სახელი მინიჭებოდა. ყრილობამ ახალგაზრდობას მოუწოდა ესწავლათ ლენინურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა, განეხორციელებინათ ლენინის ანდერძი. პარტიაში ლენინური გაწვევის დროს (1924 თებ.-აპრ.) რკპ (ბ) რიგებში შევიდა 25 600 კომკავშირელი და ალკკ-მა თავის რიგებში მიიღო 167 ათ. ახალგაზრდა მუშა და გლეხი. შეიქმნა კომკავშირული პოლიტგანათლების ფართო ქსელი. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშა კომკავშირულმა ბეჭდვითმა სიტყვამ: რუს. ალკკ ცკ-ის ჟურნალებმა „იუნი კომმუნისტმა", „მოლოდაია გვარდიამ", „სმენამ", „ჟურნალ კრესტიანსკოი მოლოდიოჟიმ", გაზ. „კომსომოლსკაია პრავდამ", აგრეთვე ადგილ. გაზეთებმა.

საკ. კპ (ბ) XIV (1925) და XV (1927) ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რალკკ-ს ეწოდა საკ. ალკკ. (1926 მარტი) და VIII (1928 მაისი) ყრილობებმა კომკავშირელთა წინაშე დააყენა ქვეყნის სოციალ. ინდუსტრიალიზაციის, სოფ. მეურნ. სოციალ. გარდაქმნის, მეცნ. და ტექ. დაუფლების საბრძოლო ამოცანები. კომკავშირი გამოვიდა სოციალ. შეჯიბრების გაშლის ინიციატორად. ლენინგრადში, მოსკოვში, ურალში, დონბასში, თბილისსა და სხვ. ქ-ების სამრეწვ. ცენტრებში შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული დამკვრელური ბრიგადები. 1929 წ. 20 იანვ. „პრავდაში" ვ. ი. ლენინის სტატიის „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება" გამოქვეყნების შემდეგ გაზ. „კომსომოლსკაია პრავდამ" (26 იანვ.) ახალგაზრდობას მოუწოდა დაეწყო საკავშ. სოციალ. შეჯიბრება. კომკავშირმა თავისი რიგებიდან წამოაყენა ათეულ ათასობით რაციონალიზატორი და გამომგონებელი. საკ. ალკკ IX ყრილობამ (1931 იანვ.) კომკავშირი I ხუთწლედის (1929—32) დამკვრელურ ბრიგადად გამოაცხადა. ბიუროკრატიზმის, უთავბოლობის, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა კომკავშირულმა „მსუბუქმა კავალერიამ", რ-იც 1928 შეიქმნა. 1929 კომკავშირის თაოსნობით ჩატარდა ახალგაზრდობის პირველი მობილიზაცია I ხუთწლედის მშენებლობისათვის (200 ათ-ზე მეტი კომკავშირელი). 1931 წ. 21 იანვ. სსრკ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საკ. ალკკ შრომითი გმირობის, დამკვრელობისა და სოციალ. შეჯიბრების საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

კომკავშირელებმა დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სოფ. მეურნ. კოლექტივიზაციაში. სოფლად გაგზავნილ მუშა-ოცდახუთათასელთა შორის 2 ათ-ზე მეტი კომკავშირელი იყო. სოფლად ყველაზე პოპულარული გახდა ლოზუნგი „კომკავშირელო, ტრაქტორზე!".

კომკავშირმა აქტ. მონაწილეობა მიიღო კულტ. რევ. განხორციელებაში. შეიქმნა „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამკვრელი რაზმები", ათასობით კომკავშირელი შეუერთდა „კულტმოლაშქრეთა" რიგებს. I ხუთწლედის წლებში წერა-კითხვა 45 მლნ-მდე კაცმა ისწავლა. კომკავშირმა მეცნ. დაუფლებისათვის ახალგაზრდობის ლაშქრობა გამოაცხადა. 1928—29 კომკავშირის საგზურით მუშფაკებში სასწავლებლად 15 ათ. ახალგაზრდა წავიდა, უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ კურსებზე — 20 ათ., უმაღლეს სკოლებსა და ტექნიკუმებში—30 ათასი. 1934 სტუდენტთა შორის მუშათა ხვ. წილმა 47,9% მიაღწია.

1935 ახალგაზრდა მუშების — მაღაროელი ა. სტახანოვის, მემანქანე პ. კრივონოსის, მჭედლების ე. და მ. ვინოგრადოვების, მღარავ ი. გუდოვისა და სხვ., ახალგაზრდა კოლმეურნეების მ. დემჩენკოს, პ. ანგელინასა და სხვ. მაგალითისამებრ მასობრივი *სტახანოვური მოძრაობა* დაიწყო. ლენინური კომკავშირი სტახანოვური მოძრაობის განვითარებაში პარტიის ყველაზე ერთგული თანაშემწე იყო.

საკ. ალკკ X ყრილობა (1936 აპრ.) კომკავშირის ისტორიაში შევიდა როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ახალგაზრდობის ყრილობა. დელეგატთა შორის იყო 135 ორდენოსანი, მრეწვ. და სოფ. მეურნ. ასობით ახალგაზრდა ნოვატორი. კომკავშირმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია თავდაცვითი და კერძოდ, მასთან დაკავშირებული შავი და ფერადი მეტალ. ნავთობმომპოვებელი მრეწვ. განვითარებისათვის. კომკავშირი აწყობდა ახალგაზრდობის მასობრივ სამხ.-ტექ. გამოცდებს. 1 მლნ. კომკავშირელი გახდა „ვოროშილოველი მსროლელი", დაახლ. 5 მლნ. ჩაბარა საჰაერო და ქიმ. თავდაცვის, სამხ. ტოპოგრაფიისა და სხვ. ნორმატივები. მარტო 1936 ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის!" ჩაბარა 4 მლნ-მდე კაცმა. 1940 წ. 1 ივლ-თვის წითელი არმიის ოფიცერთა შორის 56,4% კომუნისტი და 22,1% კომკავშირელი იყო.

დიდ სამამულო ომში (1941—45) პარტიის მოწოდებით კომკავშირი გერმ. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა, ომის პირველ წელს წითელი არმიის რიგებში უკვე 2 მლნ-მდე კომკავშირელი იყო. კომკავშირელებმა, ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა გაუგონარი გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს ბრესტის, ოდესის, სევასტოპოლის, სმოლენსკის, მოსკ., ლენინგრ., კიევის, სტალინგრადისა და ქვეყნის სხვა ქ-ებისა და რ-ნების დაცვის საქმეში. მტრის ზურგში უშიშრად მოქმედებდნენ ბელორ., რსფსრის ოკუპირებული ოლქების, უკრ., ბალტიისპირეთის ახალგაზრდა პარტიზანები და იატაკქვეშელები, პარტიზ. რაზმების 30—45% კომკავშირელები შეადგენდნენ. უმაგალითო გმირობა ჩაიდინეს იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციების „მო-

ლოდაია.გვარდიას" (კრასნოდონი), „პარტიზანსკაია ისკრას" (ნიკოლაევის ოლქი), ლიუდინოვოს იატაკქვეშა კომკავშირული ჯგუფის (კალუგის ოლქი), ხოტინის (ბუკოვინა), კაუნასის (ლიტვ. სსრ) კომკავშირელ-იატაკქვეშელთა და სხვა წევრებმა. კომკავშირლები ზურგშიც თავდადებით შრომობდნენ, უზრუნველყოფდნენ, ფრონტს სურსათითა და საბრძოლო იარაღით..

1941—45 საკ. ალკკ რიგებში 12 მლნ-მდე ქალიშვილი და ჭაბუკი შევიდა. საბჭ. კავშირის 7 ათ. გმირიდან 30 წლამდე ასაკისა 3,5 ათ. კომკავშირელია (მ. შ. 60 საბჭ. კავშირის ორგზის გმირი). 3,5 მლნ. კომკავშირელი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობის, გამბედაობის, გმირობის სიმბოლოდ იქცა ზ. კოსმოდემიანსკაიას, ა. ჩეკალინის, ლ. ჩაიკინას, ა. მატროსოვის, ი. სმირნოვის, ვ. ტალალიხინის, გ. კაგამლიკის, შ. გამცემლიძის, გ. მამედოვის, ა. პასარის, მ. მელნიკაიტეს, ნ. ადამიას, ზ. რუხაძის, ი. სუდმალისის, ფ. სმოლიაჩკოვის, ა. წურწუმიას და სხვ. სახელები. 1945 წ. 14 ივნ. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე უდიდესი დამსახურებისა და საბჭ. ახალგაზრდობის სოციალ. სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდისათვის საკ. ალკკ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

კომკავშირმა უდიდესი მუშაობა გასწია გერმ. ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული სახ. მეურნ. აღდგენისათვის მინსკის, სმოლენსკის, სტალინგრადის მშენებლობაში, ლენინგრ., ხარკოვის, კურსკის, ოდესის, სევასტოპოლის, დონის როსტოვისა და სხვა ქ-ების აღდგენისათვის. დონბასის მრეწვ. და ქ-ების, დნეპრჰესის, კოლ-ბების, საბჭ. მეურნეობებისა და მტს-ების აღორძინებისათვის. 40—50-იან წლებში კომკავშირი დიდ მონაწილეობას ღებულობდა უდიდესი ჰიდროტექნ. ნაგებობათა (ვოლგა—დონის არხი), მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების (ლენინის სახ. ვოლგის, კუიბიშევის, კახოვკისა და სხვ.) აგებაში.

1948 კომკავშირის დაარსების 30 წლისთავზე საკ. ალკკ მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

კომკავშირმა აქტ. მონაწილეობა მიიღო პარტიის მიერ შემუშავებულ სოფ. მეურნ. აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელებაში. კოლ-ბებში, საბჭ. მეურნეობებში, მტს-ებში ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი, მუშა და მოსამსახურე გაიგზავნა. 1954—55 კომკავშირული საგზურებით ყაზ., ალთაის, ციმბ. ჯამირი მიწების ასათვისებლად 350 ათზე მეტი ახალგაზრდა გაემგზავრა. 1956 წ. 5 ნოემბ. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კომუნისტურ მშენებლობაში და განსაკუთრებით ჯამირი მიწების ათვისებაში აქტ. მონაწილეობისათვის საკ. ალკკ მესამე ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

სკკპ XX ყრილობამ (1956) აღნიშნა საკ. ალკკ უდიდესი დამსახურება და ამასთან ერთად მიუთითა კომკავშირის სერიოზულ ნაკლოვანებებზე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. საკ. ალკკ XIII ყრილობამ (1958 აპრ.), პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, შეიმუშავა კომუნისტურ მშენებლობაში კომკავშირის აქტივიზაციის, კომკავშირული დემოკრატიის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. კომკავშირმა აიღო შეფობა მეტალ., ქიმ. მრეწვ. სამრეწვ. საწარმოთა და ქვეყნის დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე. 1958 — 61 კომკავშირული საგზურით შვიდწლედის მშენებლობებზე 800 ათ. ქალიშვილი და ჭაბუკი გაემგზავრა. 1961 — 66 საკავშ. დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე აიგო 1050 სამრეწვ. ობიექტი. 1958 დასასრ. კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები კომუნისტური შრომისათვის მასობრივი მოძრაობის დაწყების ინიციატორები იყვნენ.

კომკავშირის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XXII ყრილობას (1961), რ-მაც მიიღო პარტიის ახ. პროგრამა. საკ. ალკკ XIV ყრილობამ (1962 აპრ.) შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელების კონკრ. გზები. სკკპ XXIII ყრილობის (1966) გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, საკ. ალკკ XV ყრილობამ (1966 მაისი) განსაზღვრა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, სსრკ სახ. მეურნ. განვითარების 1966—70 ახ. ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანები. საკ. ალკკ XVI ყრილობამ (1970 მაისი) შეაჯამა კომკავშირის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების შედეგები, განსაზღვრა ლენინური ანდერძის სულისკვეთებით ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდის შემდგომი მუშაობის მიმართულებანი. მნიშვნელოვნად ამაღლდა კომკავშირის მონაწილეობა პარტიის ეკონ. პოლიტიკის განხორციელებაში, გაფართოვდა მისი საქმიანობის მასშტაბები სახ. მეურნ. პრობლემების გადაჭრაში, კერძოდ, ციმბ., შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთის სიმდიდრეთა ათვისებაში, ქვეყნის შრომითი რესურსების გადანაწილებაში. მარტო 1966—70 კომკავშირმა დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე 300 ათ. ახალგაზრდა მოხალისე გაგზავნა. ახალგაზრდობის აქტ. მონაწილეობით აშენდა 1500-მდე დიდი ობიექტი, მ. შ. მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰესი, ბელოიარსკის ატომური სადგური, აბაკან—ტაიშეტის რკინიგზა, ნავთსადენი „დრუჟბა" და სხვ. 1970 კომკავშირი შეფობას უწევდა 100 დამკვრელურ მშენებლობას, მ. შ. ტიუმენის და ტომსკის ოლქების ნავთისა და აირის უნიკალური სიმდიდრეების ათვისებას.

უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირელთა ტრადიციად იქცა სტუდენტთა სამშენებლო რაზმები. წლითი-წლობით იზრდებოდა მათი სამეურნეო საქმიანობის მასშტაბები. 4 შრომით სემესტრში (1966—69) მონაწილეობა მიიღო 1 მლნ. სტუდენტმა. მათ შეასრულეს 1,5 მლრდ. მანეთის სამუშაო. წარმოიშვა წარმოების მართვისა და სამეურნეო მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ახ. ფორმები. მ. შ. „კომკავშირული პროჟექტორი", რ-იც „მსუბუქი კავალერიის" რაზმების საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს და შემოქმედებით ძიებას ეწევა წარმოების რეზერვებისათვის. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა პატრიოტთა შრომას.

მნიშვნელოვნად ამაღლდა კომკავშირელთა კულტ. დონე. 1970 საკ. ალკკ რიგებში იყო 1,8 მლნ-ზე მეტი ინჟინერი, ტექნიკოსი და სახ. მეურნ. სპეციალისტი, მეცნიერი, კულტ., ჯანმრთელობის დაცვის მუშაკი, მასწავლებელი. ათეული მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი მეცადინეობდა სპორტ. კლუბებსა და სექციებში. კომკავშირის ინიციატივით ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა, პოეტთა, დრამატურგთა შემოქმედებითი სემინარები, მოეწყო ახალგაზრდა მხატვართა გამოფენები. ნიჭიერ ახალგაზრდობას ყოველწლიურად ენიჭება ლენინური კომკავშირის პრემიები: საუკეთესო მიღწევისათვის ლიტ-რასა და ხელოვნებაში (დაწესდა 1966 მარტში), მეცნიერებასა და ტექნიკაში (დაწესდა 1967 ივნ-ში), მეცნ.-ტექ. პროგრესში აქტ. მონაწილეობისათვის (დაწესდა 1970 მაისში).

1968 საბჭ. ახალგაზრდობამ და მთელმა ქვეყანამ აღნიშნა ლენინური კომკავშირის შექმნის 50 წლისთავი. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭ. ხელისუფლების დაცვასა და განმტკიცებაში უდიდესი დამსახურებისათვის, სოციალ. სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობისა და მამაცობისათვის, კომუნიზმის მშენელობაში აქტ. მონაწილეობისათვის, ლენინის ანდერძისადმი თავდადებული მოზარდი თაობის პოლიტ. აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის საკ. ალკკ ოქტ. რევ. ორდენით დააჯილდოვა.

სკკპ XXIV ყრილობამ (1971) კომკავშირს დიდი ყურადღება დაუთმო. ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საკ. ალკკ XVII ყრილობამ (1974 აპრ.) კომკავშირის დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნია კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის ყოველმხრივი გაუმჯობესება, პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, საზ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნ.-ტექ. პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის ბრძოლაში კომკავშირული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება. ყრილობამ ბაიკალ—ამურის რკინიგზის, რსფსრ არაშავნიადაგიან ზონაში მიწების სამელიორაციო და სასოფლო მშენებლობა საკავშ. დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა. ბაიკალ—ამურის რკინიგზის მშენებლობაზე კომკავშირული საგზურის 4 ათ. ახალგაზრდა მოხალისე გაიგზავნა.

სამშობლომ დიდად დააფასა ახალგაზრდა თაობის თავდადებული, შთაგონებული შრომა. IX ხუთწლედის ახალგაზრდა დამკვრელთა დიდი ჯგუფი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს სოციალ. შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.

სკკპ XXV ყრილობამ (1976) მაღალი შეფასება მისცა კომკავშირის შრომით საქმეებს, მიუთითა მისი როლისა და მნიშვნელობის შემდგომ ამაღლებაზე. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. ალკკ XVIII ყრილობას (1978 აპრ.), რ-მაც აღნიშნა, რომ კომკავშირის ცენტრ. ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური იდეოლოგიით, საბჭ. პატრიოტიზმის, პროლეტ. ინტერნაციონალიზმის, მაღალორგანიზებულობისა და დისციპლინის სულისკვეთებით, ჩამოუყალიბოს თითოეულ ახალგაზრდას პოლიტ. კულტურა, ზნეობრივი სისპეტაკე, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. ლენინური კომკავშირის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საკ. ალკკ XIX ყრილობა (1982 მაისი), რ-საც დაესწრო 110 ქვეყნის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, ახალგაზრდული დემოკრატ. და სოციალ. ორგანიზაციის, ახალგაზრდული ორგანიზაციების დელეგაციები. ყრილობამ დასახა კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის (1981) ისტ. გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

საბჭ. ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საყოველთაო-სახ. ბრძოლაში წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ასამაღლებლად. კომკავშირელები წარმატებით შრომობენ მრეწველობასა და სოფ. მეურნეობაში, ბაიკალ — ამურის მაგისტრალსა და კამის საავტ. ქ-ნის, ნავთობქიმ. და მეტალ. საწარმოების მშენებელობებზე, ნაყოფიერად მუშაობენ მეცნ., კულტ., სახ. განათლების ასპარეზზე, მოსახლ. მომსახურების სფეროში. XI ხუთწლედში (1981 — 85) 135 უდიდესი მშენებლობა გამოცხადებულია საკავშ. დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად. 4 ათ-ზე მეტი ობიექტის მშენებლობას შეფობას უწევენ ადგილ. კომკავშირული ორგანგზაციები. კომკავშირი აქტიურად მონაწილეობს დიდმნიშვნელოვანი სახ.-სამ. ობიექტების ბრატსკ—უსტ-ილიმსკის, საიანის, პავლოდარ—ეკიბასთუზის, სამხრ. ია-

კუტსკის ტერიტ.-საწარმოო კომპლექსების, კურ.სკის მაგნ. ანომალიების მშენებლობაში, ციმბ. და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალთა განვითარებაში.

XI ხუთწლედში საბჭ. ახალგაზრდობამ პატრ. რწმენის სიმტკიცე ნათლად საქმით გამოავლინა სოციალ. შეჯიბრების დროს, რ-იც მიმდინარეობდა დევიზით „მეთერთმეტე ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ცოდნა, ინიციატივა და შემოქმედება!" 1984 კომკავშირულ-ახალგაზრდულ შაბათობებში მონაწილეობდა 56 მლნ. ჭაბუკი და ქალიშვილი.

კომუნისტური მშენებლობის გაზრდილი მასშტაბები, ახ. ადამიანის აღზრდისა და თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის ამოცანები დაბეჭდითებით მოითხოვენ კომკავშირის იდეურ-პოლიტ. მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. საკ. ალკკ განუხრელად ხელმძღვანელობს სკკპ ცკ-ის 1983 აპრილის პლენუმის დადგენილებით—„იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები", უზრუნველყოფს კომკავშირის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებას. მილიონობით ახალგაზრდა მშრომელი მეცადინეობს მარქსისტულ-ლენინური განათლების წრეებსა და სემინარებში. გაუმჯობესდა მსმენელთა თვისებრივი შემადგენლობა. თეორიის შესწავლა უფრო ორიგინალურად უკავშირდება პრაქტ. ამოცანების გადაწყვეტას. გაძლიერდა კომკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღება ახალგაზრდობის იდეურ-მხატვრული აღზრდის საკითხებისადმი. შემოქმედებით კავშირებთან თანამეგობრობით შემუშავდა და ხორციელდება ღონისძიებანი, რ-თა მიზანია ახალგაზრდა ლიტერატორთა, კომპოზიტორთა აქტ. ჩაბმა მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნაში. ყოველ შემოქმედებით კავშირთან შექმნილია ახალგაზრდული კომისიები და სექციები, დაარსდა ჟურნალები „ლიტერატურნაია უჩობა", „იუნი ხუდოჟნიკი".

1984 საკ. ალკკ-ს ჰქონდა 247 ახალგაზრდული, პიონერული, საბავშვო გაზეთი და ჟურნალი სსრკ ხალხთა 26 ენაზე. მთლიანად მათი საცალო ტირაჟი 80 მლნ-ზე მეტია. საკ. ალკკ ცკ-ის ორგანოებია გაზ. „*კომსომოლსკაია პრავდა*" და გაზ. „პიონერსკაია პრავდა", ცენტრ. ჟურნალებია „კომსომოლსკაია ჟიზნი" „მოლოდოი კომმუნისტი", „სელსკაია მოლოდოჟი", „სმენა", „პიონერი", „ტეხნიკა მოლოდიოჟი", „მურზილკა" და სხვ. საკ. ალკკ ცკ-ს აქვს გამომცემლობები: „მოლოდაია გვარდია" (მოსკოვი), „მოლოდი" (კიევი), „იოშ გვარდია" (ტაშკენტი).

საკ. ალკკ დიდ ყურადღებას აქცევს კომკავშირული კადრების მომზადება-გადამზადებას. 1945 თებ-ში შექმნილი ცენტრ. კომკავშირული სკოლა 1969 გადაკეთდა საკ. ალკკ ცკ-თან არსებულ უმაღლეს კომკავშირულ სკოლად, მუშაობენ ზონალური და რესპ. კომკავშირული სკოლები.

კომკავშირის წევრთა რაოდენობა (წლის დასაწყისში)

წლები	წევრთა რაოდენობა	წლები	წევრთა რაოდენობა
1918[1]	22100	1944	6 068 177
1919[2]	96000	1946	7480 182
1920[2]	400000	1950	10 512 385
1922	247 000	1955	18 617 532
1924	500 000	1966	22 641 635
1925	1140 706	1971[3]	27 294 889
1929	2 317 358	1975	33 760 617
1933	4 547 186	1976	34 825 852
1939	8 245 787	1977	35 608 385
1941	10 387 852	1978	37 049 112
		1984	42 010 000

[1] 1 ოქტომბრისათვის; 2. სექტემბრისათვის; 3. 1 აპრილისათვის.

საკ. ალკკ ახალგაზრდობის საერთაშ. კომუნისტური და დემოკრ. მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი და მებრძოლი რაზმია. ლენინური კომკავშირი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს სოციალ. თანამეგობრობის ქვეყნების ახალგაზრდობის კავშირებთან ძმური ურთიერთობის განვითარებას. საკ. ალკკ განამტკიცებს კავშირს კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე ახალგაზრდობის რაზმებთან — ახალგაზრდულ კომუნისტურ ორგანიზაციებთან, დახმარებას უწევს აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. ქვეყნების თანატოლ მებრძოლებს, რ-ებიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის იბრძვიან. კომკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს დემოკრ. ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშ. კავშირის განმტკიცებასა და განვითარებას. საკ. ალკკ XVIII და XIX ყრილობებს შორის პერიოდში საბჭ. კავშირს ეწვია ახალგაზრდულ და სტუდენტთა ორგანიზაციების 1300-ზე მეტი დელეგაცია. საერთაშ. ახალგაზრდული ტურიზმის „სპუტნიკის" ბიუროს (შეიქმნა 1958 მაისში) ხაზით ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა 800 ათ-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ბიუროს საქმიანი და კორესპონდენტური კავშირი აქვს მსოფლიოს 88 ქვეყნის 500 ორგანიზაციასთან.

კომკავშირის მუშაობის საკითხები რეგულარულად განიხილებოდა და განიხილება პარტიის ყრილობებზე, კონფერენციებზე, სკკპ ცკ-ის პლენუმებზე. სკკპ წესდებაში არის სპეც. განყ-ბა „პარტია და კომკავშირი".

განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე კომკავშირის ამოცანაა განუხრელად და თანამიმდევრულად გაატაროს ცხოვრებაში ლენინის უკვდავი ანდერძი — „ვისწავლოთ კომუნიზმი!", უფრო აქტ. მონაწილეობა მიიღოს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში, იდეური ზემოქმედება მოახდინოს ახალგაზრდობის ყველა ჯგუფზე, აღზარდოს იგი პარტიისა და ხალხის რევ., საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, კომუნისტური მოძრაობის სულისკვეთებით, ამასთანავე გაითვალისწინოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების მოთხოვნები, მათი განათლებისა და პროფ. მომზადების მზარდი დონე. თითოეული კომკავშირული ორგანიზაციის კონკრ. საქმე უნდა იყოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების იდეურ-პოლიტ., შრომითი და ზნეობრივი აღზრდის გაძლიერება.

კომკავშირი მაგალითს სკკპ კომუნისტებისაგან იღებს. კომკავშირის საქმიანობის, სსრკ-ის თითოეული ახალგაზრდა ადამიანის უმაღლესი მიზანია პარტიისაგან ისწავლოს ბრძოლა და ცხოვრება. სკკპ XXV და XXVI ყრილობებს შორის პერიოდში პარტიაში შევიდა 2308 ათ-ზე მეტი კომკავშირელი, ე. ი. პარტიის შევსების 73,0% კომკავშირლები შეადგენდნენ.

კომკავშირის ცკ-ის თავ-რეები, პირველი, გენ. მდივნები: 1918 ნოემბ.—1919 წ. 9 ოქტ. — ო. რიეკინი; 1919 წ. 10 ოქტ. 1922 წ. 4 აპრ. — ლ. შაცკინი; 1922 წ. 5 აპრ. — 1924 წ. 18 ივლ. — პ. სმოროდინი; 1924 წ. 18 ივლ.—1918 წ. 16 მაისი — ნ. ჩაპლინი; 1928 წ. 17 მაისი — 1929 წ. 24 აპრ. — ა. მილჩაკოვი; 1929 წ. 24 აპრ. — 1938 წ. 23 ნოემბ. — ა. კოსარევი, 1938 წ. 23 ნოემბ.—1952 წ. 30 ოქტ. — ნ. მიხაილოვი; 1952 წ. 30 ოქტ.— 1958 წ. 28 მარტი — ა. შელეპინი; 1958 წ. 28 მარტი—1959 წ. 25 მარტი — ვ. სემიჩასტნი; 1959 წ. 25 მარტი — 1968 წ. 12 ივნ. — ს. პავლოვი; 1968 წ. 12 ივნ.— 1977 წ. 27 მაისი — ე. ტიაჟელნიკოვი; 1977 წ. 27 მაისი—1982 წ. დეკ. — ბ. პასტუხოვი; 1982 წ. დეკ-იდან—ვ. მიშინი.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., ახალგაზრდობის შესახებ, თბ., 1956; კ ა ლ ი ნ ი ნ მ., კომუნისტური აღზრდის შესახებ, რჩეული სიტყვები და სტატიები, თბ., 1970; კ ი რ ო ვ ი ს მ., ახალგაზრდობის შესახებ, თბ., 1939; ბ რ ე ჟ ნ ე ვ ლ. ი., სიტყვა სრულიად საკ. ალკკ XVIII ყრილობაზე. 1978 წ. 22 აპრილი, თბ., 1979; История ВЛКСМ. Живая летопись, тетрадь 1—3, М., 1966—68; Ленинский комсомол. Очерки по истории ВЛКСМ, т. 1 (1918—1941 гг.), М., 1969

შ. თეთვაძე.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის წესდება, საკ. ალკკ საშინაო ცხოვრების ძირითადი კანონი, რ-იც განსაზღვრავს მის სახელწოდებას და მოვალეობას, მის ადგილს საზ-ბის პოლიტ. სისტემაში, სკკპ-თან ურთიერთდამოკიდებულებას. საკ. ალკკ წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, შიდაკომკავშირული ცხოვრების ორგანიზაციულ პრინციპებს, ნორმებსა და პრაქტ. მოღვაწეობის მეთოდებს. წესდებას ღებულობს საკ. ალკკ ყრილობა. ამჟამად მოქმედი წესდება მიიღო საკ. ალკკ XIV ყრილობამ (1962), ნაწილობრივი შესწორებები შეტანილია XV (1966) და XVI (1974) ყრილობებზე. წესდებაში განსაზღვრულია კომკავშირის მთავარი ამოცანა — ახალგაზრდობის აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე, რევ. ბრძოლების გმირულ ტრადიციებზე, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თაედადებული შრომის მაგალითებზე დ ა. შ. წესდების (§ № 1) თანახმად, საკ. ალკკ წევრი შეიძლება გახდეს ყველა საბჭ. ახალგაზრდა, რ-იც აღიარებს წეს დებას, აქტიურად მონაწილეობს კომუნისტ მის მშენებლობაში, მუშაობს ერთ-ერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში, ასრულებს კომკავშირის გადაწყვეტილებებს და იხდის საწევრო შესატანს. კომკავშირის წევრად მიღება ხდება ინდივიდუალურად, მიიღება 14-იდან 28 წლამდე მოწინავე, საბჭ. სამშობლოსადმი თავდადებული ახალგაზრდა. საკ. ალკკ ორგანიზაციული წყობის ხელმძღვ. პრინციპი *დემოკრატიული ცენტრალიზმი.*

საკ. ალკკ უმაღლესი ორგანოა საკ. ალკკ ყრილობა, რ-საც იწვევს საკ. ალკკ ცკ 4 წელიწადში ერთხელ. ყრილობა ირჩევს საკ. ალკკ ცკ-ს და ცენტრ. სარევიზიო კომისიას. ყრილობებს შორის პერიოდში კომკავშირის მოღვაწეობას ხელმძღვანელობს საკ. ალკკ ცენტრ. კომიტეტი. წესდების თანახმად, სკკპ-ის დავალებით საკ. ალკკ ხელმძღვანელობას უწევს ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახ. სრულიად საკავშ. პიონერულ ორგანიზაციას

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 31; საკავშირო ალკკ წესდება, თბ., 1982; Ленин В. И., Об уставе партии. Сб. 2 изд., М., 1973; Славный путь Ленинского комсомола, т. 1—2, М., 1974.

სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, 10—15 წლის ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი თვითმოქმედი კომუნისტური ორგანიზაცია, რ-ი პრაქტიკულ ხელმძღვანელობას სკოლასთან და ოჯახთან ერთად ახორციელებს კომკავშირი.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის განვითარება, შექმნა და განმტკიცება სსრკ-ში განუყრელადაა დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. ნორჩი თაობის აღზრდაში კომკავშირის საქმიანობას საფუძველს უდებს ვ. ი. ლენინის მიერ რკკ-ის III ყრილობაზე (1920) წარმოთქმული სიტყვაში წამოყენებული დებულებები ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას პარტია განიხილავს როგორც *კომუნისტური აღზრდის* განუყოფელ ნაწილს. პიონერული მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს სათანადო ადგილი აქვს ცათმბეჭდილი პარტიის XII, XIII, XIV, XV, XVI ყრილობების მასალებში. სკკპ ცენტრ.

ლური კომიტეტის დადგენილებებში, სკკპ პროგრამაში. პიონერული მოძრაობის განვითარებასა და მისდამი ხელმძღვანელობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები: მ. კალინინი, ნ. კრუპსკაია, ს. კიროვი, ფ. ძერჟინსკი, ი. სტალინი, ვ. კუიბიშევი, გ. ორჯონიკიძე, ე. იაროსლავსკი, ნ. პოდვოისკი, ა. ბუბნოვი, მ. ფრუნზე, კ. ვოროშილოვი, პ. პოსტიშევი, ა. ანდრეევი, მ. პოკროვსკი და სხვები. რუსეთში ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის განვითარება ისტორიულად უკავშირდება მშრომელთა რევ. მოძრაობას. 1921 ბოლოს რუს. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცკ-მა შექმნა სპეც. კომისია ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის საქმიანობის პროგრამისა და პრინციპების გამოსამუშავებლად. კომისიაში უშუალოდ მონაწილეობდა ნ. კრუპსკაია. 1922 წ. 19 მაისს კომკავშირის სრულიად რუს. II კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება პიონერული რაზმების ყველგან შექმნის თაობაზე. ეს დღე ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღედ. რაკკ-ის კომკავშირის V კრილობამ დაადგინა ყველა პიონერული რაზმეულის გაერთიანება „სპარტაკის სახელობის ნორჩ პიონერთა“ ორგანიზაციად.

ს. ს. პ. ო. მუშაობს დებულების საფუძველზე, რ-შიც განსაზღვრულია მისი საქმიანობის მთავარი ამოცანები, ორგანიზაციული წყობის სტრუქტურა, ორგანიზაციის რიგებში მიღების პირობები, პიონერთა უფლება-მოვალეობანი, მოცემულია ნორჩ პიონერთა კანონები, პიონერთა საზეიმო ფიცი (იხ. სტ. *პიონერი*), ოქტომბრელთა წესები.

ს. ს. პ. ო-ის უმაღლესი ორგანოა ვ. ი. ლენინის სახელობის ს. ს. პ. ო-ის ცენტრ. საბჭო, რ-იც მუშაობს სრულიად საკ. ალკ ცკ-ის ხელმძღვანელობით. ს. ს. პ. ო-ის ორგანიზაციული საფუძველია პიონერული რაზმეული.

ს. ს. პ. ო-ს აქვს თავისი დევიზი, პიონერული დროშა და ალამი, წითელი ყელსახვევი, პიონერული ნიშანი, დოლი და საყვირი.

თავისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში ს. ს. პ. ო. ლენინური კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენს ქვეყანაში სახ. მეურნ. აღდგენისა და განვითარების, ინდუსტრიალიზაციისა და ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

სახ. მეურნ. რეკონსტრუქციის პირველ წლებში პიონერული ორგანიზაციები თავის მუშაობას აგებდნენ სამრეწვ. საწარმოთა ბაზაზე, კომკავშირის საფაბრიკო-საქარხნო უჯრედების ხელმძღვანელობით.

ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარებისას სწრაფად გაიზარდა პიონერული ორგანიზაციის რიგები. თუ 1927 ოქტ-ში ქვეყანაში 1654 ათ. პიონერი იყო, 1931 ანვ-თვის მათი რაოდენობა უკვე 447 ათ. უდრიდა, რ-ებიც 87 262 რაზმეულში იყვნენ გაერთიანებულნი. კოლექტივიზაციის პერიოდში პიონერები ფეროსებთან ერთად გაბედულად იბრძოდნენ სოფლად ახ. ცხოვრების დამკვიდრებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია პიონერების შეუპოვარი ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კულაკების ხელით დაიღუპნენ პიონერები ურალელი პ. მოროზოვი და ციმბირელი კ. ბაგატინი, ყირგიზი კ. ჯაკილოვი და ომეხი გ. აკოფიანი, უკრ. ვ. ვასილჩენკო და ნორჩი კორესპონდენტი ნ. უნინი... ათი სახელები შეტანილია ვ. ი. ლენინის სახ. ს. ს. პ. ო-ის საპატიო წიგნში.

პირველი ხუთწლედების პერიოდში თავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა პიონერების შრომითი საქმეებიც. 1935 ლენინის ორდენით დაჯილდოვდა ტაჯიკი პიონერი მ. ნაპანგოვა, ხოლო „საპატიო ნიშნის“ ორდენით — ი. ყადიროვი და პ. ათაყულოვა (ტაჯიკეთი), ა. ფადეევი (ლენინგრ. ოლქი), ბ. ხამგოკოვი (ყაბარდო), მ. ჰასანოვი (დაღესტანი), ვ. ვოზნიუკი (უკრაინა), ბ. შამუანოვა (ყაზახეთი) და სხვ.

საბჭ. პიონერებმა სამშობლოსათვის თავდადების მაგალითები გვიჩვენეს ჰიტლერელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეულობით პიონერი დაჯილდოვდა მთავრობის ორდენებით და მედლებით, ხოლო 4 მათგანს — ლ. გოლიკოვს, მ. კაზეის, ვ. კოტიკს და ზ. პორტნოვას — საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

50 და 60-იან წლებში პიონერებმა შრომით წარმატებას მიაღწიეს კულტ. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ორ მათგანს — ტაჯიკ თ. მათქაზიმოვს და ქართველს, ქობულეთის რ-ნის სოფ. ბობოყვათის საშ. სკოლის რაზმელულის საბჭოს თავ-რეს ნ. ჩელებაძეს სოციალ. შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

სსრკ-ში ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი დაწესებულებების — კლუბების, პიონერთა სახლების, სასახლეების, მუზეუმების, სპორტ. ბაზების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ა. შ. რაოდენობა. მსოფლიოში ცნობილია ბავშვთა ინტერნაც. სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო კერა, სრულიად საკ. პიონერული ბანაკი *არტეკი*.

70-იანი წწ. პიონერები აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ისტ. ძეგლების დაცვაში, ეხმარებოდნენ დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებს, ატარებდნენ სპორტ. და სამხ. თამაშობებს.

ვ. ი. ლენინის სახ. ს. ს. პ. ო-ს აქვს 28 პიონერული გაზეთი, რ-ებიც ისტამბება სსრკ ხალხთა 19 ენაზე, მათი საერთო წლიური ტირაჟი დაახლ. 20 მლნ-ს შეადგენს, ყველაზე მასობრივი და ყველაზე პოპულარულია სრულიად საკ. ალკკ ცკ-ისა და ს. ს. პ. ო-ის ცენტრ. საბჭოს ყოველდღიური გაზეთი „პიონერსკაია პრავდა“, 35 პიონერული და საბავშვო ჟურნალი, მ. შ. სრულიად საკავშ. მნიშვნელობის ჟურნალები: „პიონერი“, „კოსტიორი“ და სხვ. ყოველდღიურად გადაიცემა ეთერში რადიოგაზეთი „პიონერსკაია ზორკა“, ხოლო ცენტრ. ტელევიზიაში შექმნილია საბავშვო სტუდია „ორლიონოკი“. საბავშვო და პიონერული პრესა, რადიო და ტელევიზია რეგულარულად ატარებენ სრულიად საკავშ. თამაშობებს, კონკურსებს, ოლიმპიადებს.

ვ. ი. ლენინის სახ. ს. ს. პ. ო. წარმოადგენს ბავშვთა საერთაშ. დემოკრ. მოძრაობის ერთ-ერთ რაზმს და შედის ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციის საერთაშ. კომიტეტის შემადგენლობაში. ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დამსახურებისა და დაარსების მე-40 და 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, ს. ს. პ. ო. დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით.

პიონერული მუშაობის პრობლემებს იკვლევენ სსრკ პედ. მეცნ. აკად. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, სრულიად საკ. ალკკ ცკ-თან არსებული უმაღლესი კომკავშირული სკოლის პიონერული მუშაობის თეორ. საფუძვლების კათედრა, ჩვენი ქვეყნის პედ. ინ-ტები. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვას ხელს უწყობს სრულიად საკავშ. სამეცნ.-მეთოდ. კონფერენციებიც. საქართველოში ბავშვთა კომუნისტურმა მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო 1922 წ. II ნახევრიდან. იმავე წლის დეკემბრისათვის საქართვ. 15-მდე ქალაქსა და მაზრაში არსებობდა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციები. 1923 ბოლოსათვის ძირითადად დამთავრდა საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების შექმნა და ორგანიზაციული განმტკიცება. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, 1924 იანვ. ბოლოდან, ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციებს საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ეწოდა ვ. ი. ლენინის სახ. ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია. მაშინ მის რიგებში ირიცხებოდა 11 ათ-ზე მეტი პიონერი, 1925 იანვ-თვის ეს ორგანიზაცია აერთიანებდა 45 ათ-მდე პიონერს. 1985 წ. 1 იანვ-თვის საქ. პიონერული ორგანიზაცია 479 244 წევრს ითვლიდა, რ-ებიც გაერთიანებული იყვნენ 20 448 რაზმსა და 2935 რაზმეულში. საქ. პიონერებს აქვთ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, საქ. პიონერული გაზ. „ნორჩი ლენინელი“ ჟურნ. „პიონერი“.

გ. საითიძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (საქ. ცაკი), საქ. სსრ უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო რესპ. *საბჭოების ყრილობათა* შუა პერიოდში. ცაკს სრულიად საქართვ. საბჭოების ყრილობა ირჩევდა. იგი თავისი საქმიანობის ანგარიშს უდგენდა ყრილობას და მის წინაშე იყო პასუხისმგებელი. ცაკი სასესიო წესით მუშაობდა (სესიათა შუა პერიოდში ცაკის პრეზიდიუმი მოქმედებდა). საქ. ცაკის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო ჯერ რესპ. 1922 და შემდეგ 1927 კონსტიტუციებით. მის კომპეტენციაში შედიოდა რესპ. სახკომსაბჭოსა და სახ. კომისარიატების შექმნა, საშინაო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობა, სახელმწ. ბიუჯეტის დამტკიცება, კოდექსების, დეკრეტებისა და დადგენილებების გამოცემა, კონსტ. დაცვის მეთვალყურეობა და სხვ. საქ. ცაკი 1922—38 არსებობდა. იგი პირველად 1922 წ. 3 მარტს აირჩიეს. საქ. სსრ 1937 კონსტ. ძალით უზენაესი სახელმწ. ხელისუფლება გადაეცა რესპ. უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმს, რ-თა ფორმირება 1938 ივნ.-ივლ-ში დასრულდა.

ი. ფუტკარაძე.

სრული დანახარჯების კოეფიციენტი შრომის საგნებისა, ერთი დარგის პროდუქციის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების ჯამი მეორე დარგის პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად. მაგ., ჩარხების წარმოებაზე ნახშირის სრული დანახარჯის განსასაზღვრავად საჭიროა გათვალისწინებული იყოს ნახშირის მთელი დანახარჯი ჩარხთმშენებლობასა და მატერ. წარმოების სხვა დარგებს შორის არსებული ტექნოლ. კავშირების მთელი ჯაჭვის მიხედვით, ს. დ. კ. გამოითვლება პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების ცხრილების (მატრიცების) საფუძველზე.

ა. წერეთელი.

სრული დიფერენციალი რამდენიმე ცვლადის $f(x,y,z,\dots)$ ფუნქციისა, გამოსახულება

$$df=\frac{\partial f}{\partial x}\Delta x+\frac{\partial f}{\partial y}\Delta y+\frac{\partial f}{\partial z}\Delta z+\dots,$$


როდესაც იგი $\Delta f=f(x+\Delta x, y+\Delta y, z+\Delta z,\dots)-f(x,y,z,\dots)$ სრული ნაზრდისაგან განსხვავდება ისეთი სიდიდით, რ-იც უსასრულოდ მცირეა $\sqrt{(\Delta x)^2+(\Delta y)^2+(\Delta z)^2+\dots}$ სიდიდესთან შედარებით. იხ. *დიფერენციალური აღრიცხვა*.

სრული კვანტური რიცხვი, შინაგანი კვანტური რიცხვი, კვანტური რიცხვი j, რ-იც განსაზღვრავს ატომში ელექტრონის სრული მოძრაობის რაოდენობის მომენტს: $\boldsymbol{J}=\boldsymbol{M}+\boldsymbol{S}$,


$$|J|=\sqrt{j(j+1)}\hbar,$$

($\boldsymbol{M}$ და $\boldsymbol{S}$ ელექტრონის ორბიტული და სპინური მომენტებია). ს. კ. რ. დაკავშირებულია l ორბიტულ და s სპინურ კვანტურ რიცხვებთან: $j=l\pm s$, ღებულობს მნიშვნელობებს $j=l\pm{}^1/_2$ (როცა $l=0$, $j={}^1/_2$),


სრული შინაგანი არეკვლა



ნახ. 1. სრული შინაგანი არეკვლა (მე-6 სხივი) ხდება ოპტიკურად ნაკლებად მკვრივი გარემოს ზედაპირზე სინათლის დაცემის ისეთი კრიზისული $\alpha_{ზღვ}$ კუთხეზე მეტი კუთხის დროს, რომლისთვისაც გარდატეხის β კუთხე 90°-ია (მე-5 სხივი). S—სინათლის წყაროა. ქვედა გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი მეტია ზედა გარემოს გარდატეხის მაჩვენებელზე.



ნახ. 2. სრული შინაგანი არეკვლის პრიზმები: ა—მომაბრუნებელი პრიზმა; ბ—შემაბრუნებელი პრიზმა. სინათლის სხივების გამომსახველ ხაზებზე ისრები ამ სხივების მიმართულების მაჩვენებელია.



ნახ. 3. სრული შინაგანი არეკვლა სითხის ჭაელში. S—სინათლის წყაროა.

თუ ატომი ერთელექტრონიანია, ახასიათებს ენერგიის დონეებს დუბლეტური გახლეჩისას.

ს. ჯ. რ-ს უწოდებენ აგრეთვე ისეთ კვანტურ რიცხვს, რ-იც განსაზღვრავს ატომის სრულ ელექტრონულ მომენტს. **სრული სივრცე,** *მეტრიკული სივრცე*, რ-შიც შესრულებულია *კრებადობის* კოშის ნიშანი. $x_1, x_2, \ldots, x_n, \ldots$ მიმდევრობას წრფეზე, სიბრტყეში ან სივრცეში ეწოდება ფუნდამენტური, თუ საკმაოდ დიდი n და m ნომრებისათვის x_n და x_m წერტილებს შორის მანძილი რაგინდ მცირე ხდება. იმისათვის, რომ წერტილთა მიმდევრობა იყოს კრებადი, აუცილებელი და საკმარისია, რომ ის იყოს ფუნდამენტური (კოშის ნიშანი).

მეტრიკულ სივრცეებში ჩვეულებრივი წესით შეიძლება განვსაზღვროთ წერტილთა მიმდევრობის ზღვრის ცნება. თუ ამასთან ადგილი აქვს კოშის ნიშანს, მაშინ სივრცეს ეწოდება სრული ს. ს-ებია ევკლიდური და მრავალი *წრფივი სივრცე*. სრული წრფივი სივრცის მაგალითია $[a, b]$ მონაკვეთზე განსაზღვრული უწყვეტი ფუნქციების სივრცე, რ-ის მანძილი $\rho(f,g) = \max_{a \leqslant x \leqslant b} |f(x) - g(x)|$ და *ჰილბერტის სივრცე*. ს. ს-ის ჩაკეტილი ქვესიმრავლე წარმოადგენს ს. ს-ს. თუ მეტრიკული სივრცე არ არის სრული, მაშინ შეიძლება მისი გასრულება ს. ს-მდე იმის ანალოგიურად, როგორც ხდება რაციონალურ რიცხვთა სიმრავლის ირაციონალური რიცხვების საშუალებით ყველა ნამდვილ რიცხვთა სიმრავლემდე გასრულება. სისრულის ცნება შეიძლება განზოგადდეს აგრეთვე ზოგიერთი არამეტრიკული ტიპოლოგიური სივრცისათვისაც. **სრული სიმრუდე,** გაუსის სიმრუდე, ზედაპირის წერტილის მიდამოში გამრუდების ერთ-ერთი ზომა, რ-იც ტოლია მთავარი *სიმრუდეების* ნამრავლისა. სიბრტყისა და ნებისმიერი წრფოვანი განფენადი ზედაპირისთვის იგი ნულის ტოლია, სფეროსათვის კი მუდმივია და ტოლია სფეროს რადიუსის კვადრატის შებრუნებული სიდიდისა. თუ ზედაპირზე მოცემული P წერტილის მიდამოს ავსახავთ ერთეულ რადიუსიან სფეროზე ისე, რომ მიდამოს ყოველ წერტილს შეუთანადებთ რადიუსის ბოლოს, მიმართულს ისევე, როგორც ამ წერტილში ზედაპირისადმი გავლებული ნორმალი, მაშინ ფართობა სფეროს მიღებული ნაწილის ფართობისა ზედაპირზე აღებული მიდამოს ფართობთან მიისწრაფვის ს. ს-კენ, თუ მიდამო მოიჭიმება P წერტილისაკენ. **სრული შინაგანი არეკვლა,** ოპტიკური გამოსხივების (სინათლის) ან სხვა დიაპაზონის (მაგ., რადიოტალღების) ელექტრომაგნიტური გამოსხივების არეკვლა უფრო დიდი გარდატეხის მაჩვენებლის (გმ) მქონე გარემოდან ორი გამჭვირვალე გარემოს გამყოფ საზღვარზე მისი დაცემისას. ს. შ. ა. მაშინ ხდება, როცა დაცემის α კუთხე მეტია რომელიმე $\alpha_{ზღვრ}$ ზღვრულ კუთხეზე, რ-საც კრიზისულსაც უწოდებენ. როცა $\alpha > \alpha_{ზღვრ}$, მეორე გარემოში გარდატეხა წყდება. ს. შ. ა. პირველად აღწერა ი. *კეპლერმა*. სნელიუსის გარდატეხის კანონის (იხ. *სინათლის გარდატეხა*) აღმოჩენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გეომ. ოპტ. ფარგლებში ს. შ. ა. ამ კანონის პირდაპირი შედეგია: იგი განპირობებულია იმით, რომ გარდატეხის β კუთხე არ შეიძლება აღემატებოდეს 90° (ნახ. 1). $\alpha_{ზღვრ}$ კუთხის სიდიდეს განსაზღვრავენ შემდეგი პირობით: $\sin\alpha_{ზღვრ} = n_{21}$, სადაც n_{21} ფარდობითი გმ-ია II გარემოსი I მიმართ. n_{21} და, მაშასადამე, $\alpha_{ზღვრ}$ მნიშვნელობები გამოსხივების სხვადასხვა ტალღის სიგრძისათვის (სიხშირისათვის) სხვადასხვაგვარია (*სინათლის დისპერსია*). ს. შ. ა-ისას ელექტრომაგნ. ენერგია სრულად (აქედანაა სახელწ. „სრული") უბრუნდება ოპტიკურად მეტად მკვრივ (დიდი გმ-ის მქონე) გარემოს. არეკვლის კოეფიციენტის მნიშვნელობა ს. შ. ა-ის დროს აღემატება მის ყველაზე დიდ მნიშვნელობებს გაპრიალებული ზედაპირიდან სარკული არეკვლისას და პრაქტიკულად დიდი სიზუსტით უდრის 1. გარდა ამისა, ეს კოეფიციენტი ს. შ. ა-ისას, სარკული არეკვლისაგან განსხვავებით, არ არის დამოკიდებული გამოსხივების ტალღის სიგრძეზე (იმ შემთხვევაში, თუ ამ ტალღის სიგრძისათვის ხდება ს. შ. ა.) და მრავალჯერადი ს. შ. ა-ის დროსაც კი რთული გამოსხივების სპექტრული შედგენილობა („ფერი") არ იცვლება. ამიტომ ს. შ. ა-ს ფართოდ იყენებენ მრავალ ოპტ. ხელსაწყოსა და ექსპერიმენტში (იხ. მაგ., *ბოჭკოვანი ოპტიკა*, იხ. ნახ. 2, 3). უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრომაგნ. ტალღების ენერგია ს. შ. ა-ის დროს ნაწილობრივ შეაღწევს II (მცირე გმ-ის მქონე) გარემოში, შემდეგ კი ისევ უკან ბრუნდება. ამ შეღწევის სიღრმე ძალიან დიდი არ არის — ასარეკლი სინათლის ტალღის სიგრძის რიგისაა. იხ. აგრეთვე *სინათლის არეკვლა, ფრენელის ფორმულები*.

სრულმეტრაჟიანი ფილმი, კინოწარმოებაში, კინოგაქირავებაში, კინომცოდნეობაში კინემატოგრაფიული ნაწარმოები. ს. ფ. შედგება 1200-იდან 3000-მდე θ კინოფირისაგან და 5-იდან 12-მდე ნაწილისაგან (თითოეულ ნაწილში დაახლ. 250—280 θ). დემონსტრაციის ხანგრძლივობა 50-იდან 120 წუთამდე.

სრულფასოვანი მონეტა, იხ. სტ. *მონეტა*.

სრულყოფილი რიცხვი, მთელი დადებითი რიცხვი, რ-იც ტოლია ყველა თავისი წესიერი (ე. ი. ამ რიცხვზე ნაკლები) გამყოფის ჯამისა. ს. რ-ებია: $6 = 1+2+3$, $28 = 1+2+4+7+14$ და სხვ. ჯერ კიდევ *ევკლიდემ* აჩვენა, რომ ლუწი ს. რ-ები შეიძლება მივიღოთ ფორმულიდან: $2^{p-1}(2^p-1)$ იმ პირობით, თუ p და 2^p-1 რიცხვები მარტივი იქნება. ამ ხერხით მიღებულ იქნა ≈20 ს. რ. დღემდე არ არის ცნობილი არც ერთი კენტი ს. რ. და მათი არსებობა ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის. გამოკვლევები ს. რ-ების შესახებ ეკუთვნის პითაგორელებს, რ-ებიც რიცხვებსა და მათ კომბინაციებს მისტ. შინაარსს ანიჭებდნენ.

სრულყოფილი სიმრავლე, *ჩაკეტილი სიმრავლე*, რ-საც არა აქვს იზოლირებული წერტილები, ე. ი. სიმრავლე, რ-იც ემთხვევა ყველა თავის ზღვრულ წერტილთა სიმრავლეს. ყველაზე არამკვრივი ს. ს-ის კლასიკური მაგალითია კანტორის სიმრავლე. R^n სივრცის ყველა ს. ს-ს აქვს *კონტინუუმის* სიმძლავრე.

სრულწლოვანი (სამართ.), პირი, რ-მაც მიაღწია იმ განსაზღვრულ ასაკს, რ-საც კანონმდებლობა სამოქალაქო ქმედუნარიანობის დადგომას და სხვაგვარი უფლება-მოვალეობების შეძენას უკავშირებს. სსრკ-ში მოქალაქე ს-ად ითვლება 18 წლის ასაკიდან. სრულწლოვანობის მიღწევისას იგი ქმედუნარიანობის გარდა საარჩევნო უფლებასა და სხვა უფლებებსაც იძენს. მაგ., ოჯახისა და ქორწინების სფეროში (დაქორწინების, მეურვეობის, მზრუნველობისა და სხვ. უფლება). ს-ის ასაკიდან აღმოცენდება განსაზღვრული ვალდებულებანი (მაგ., სამხ. ვალდებულება). იხ. აგრეთვე *არასრულწლოვანი*.

სრუოგა ბალის (2. II. 1896, სოფ. ბაიბოკაი, ახლახდ. ბირჭაის რ-ნი, — 16. X. 1947, ვილნიუსი), ლიტველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. კაუნასის უნ-ტის პროფესორი (1932-იდან). თეატრ „ვილკოლაკისის" (1919—25) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1943—45 ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი იყო. ლიტ. მოღვაწეობა 1911 დაიწყო. ს-ს ძირითადი პოეტური კრებულებია „მზე და ქვიშა" (1920), „ღმერთების ბილიკით" (1923). მას ეკუთვნის ისტ. დრამები „ბუმბერაზის ჩრდილში" (1932), „საზარელი ღამე" (1935), „რადვილა პერკუნასი" (1935), „კაზიმირ საპეგა" (1947); მემუარები ფაშისტურ ბანაკზე „ღმერთების ტყე" და სხვ. ს. ლიტვ. თეატრმცოდნეობის ფუძემდებელია.

თხზ.: В тени исполина. Драмы, Вильнюс, 1968.

სრუტე, შედარებით ვიწრო წყლის სივრცე, რ-იც ჰყოფს ხმელეთის რომელიმე უბანს და ერთმანეთთან აერთებს წყლის აუზებს ან მათ ნაწილებს. ს-ის ჰიდროლ. რეჟიმი განისაზღვრება მისი მეშვეობით მომხდარი წყალცვლის თავისებურებებით, დამოკიდებულია შეერთებული წყალსატევების ან მათი ნაწილების რეჟიმებზე, ს-ის სიგრძეზე, სიგანესა და სიღრმეზე.

სს (გერმ. SS, შემოკლ. Schutzstaffeln—დამცველი რაზმები), პრივილეგირებული გასამხედროებული ორგანიზაცია ფაშისტურ გერმანიაში. მისი ჩანასახი იყო მოიერიშე რაზმების (CA) წევრთაგან 1923 მაისში შექმნილი „ფიურერის ესკორტი" (მოგვიანებით „მოიერიშე რაზმი ჰიტლერი"). 1929 ჰიტლერმა სს-ის მეთაურად (რაიხსფიურერად) დანიშნა ჰ. *ჰიმლერი*. სს-ის დანიშნულება იყო CA-ში და ნაციისტურ პარტიაში „მოღალატეთა" მოსპობა. სს-ში იღებდნენ ფიურერის ფანატიკურად ერთგულ, „რასობრივად წმინდა" და ფიზიკურად ძლიერ CA-ს წევრებს. სს-ის რაოდენობამ 280 კაციდან (1929) 52 ათასს (1933) მიაღწია. მისი რაზმები CA-თან ერთად მონაწილეობდნენ კომუნისტური და სხვა პროგრ. ორგანიზაციების სისხლიან დარბევებში რაიხსტაგის დაწვის დროს და სხვ. 1934 წ. 30 ივნ. ჰიტლერის ბრძანებით სს გაუსწორდა CA-ის ოპოზიციურ ლიდერებს, რის შედეგადაც დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდა და ფაშისტური რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად, ნაციისტური პარტიის ტერორისტული კაცთმოძულე პოლიტიკის მთავარ იარაღად იქცა. 1934 სს-ს გამოეყო „მკვდარი თავის" ნაწილები, რ-თა დანიშნულება იყო საკონცენტრაციო ბანაკების დაცვა და ტყვეების მოსპობა, აგრეთვე სს-ის სპეც. დანიშნულების ნაწილები (1939-იდან სს-ის ჯარები). ამ ჯარების რაოდენობამ 1944 დეკ-თვის დაახლ. 950 ათ. კაცს მიაღწია. სს-ის შემადგენელი ნაწილი იყო „უშიშროების სამსახური" — CD — ფაშისტური გერმანიის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მთავარი ორგანო. სს-ის სისტემაში შედიოდა აგრეთვე გესტაპო (პოლიტ. პოლიცია) და სამძებრო პოლიცია. 1943 სს-ის რაიხსფიურერი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა და სათავეში ჩაუდგა მთელ დამსჯელ ტერორისტულ აპარატს. ფაშისტური გერმ. განადგურების შემდეგ სს კანონგარეშედ გამოცხადდა.

სსრ კავშირის ეკონომიკური ურთიერთობა არასოციალისტურ ქვეყნებთან, სსრკ საგარეო ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი, საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში მისი მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა. არასოციალ. ქვეყნების წილად მოდის სსრკ-ის *საგარეო ვაჭრობის* 45,4%. რ-მაც 1982 შეადგინა 54624 მლნ. მან. (1950 წ.—552 მლნ. მან.), მ. შ. განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებთან—37741 მლნ. მან., ხოლო *განვითარებად ქვეყნებთან*—16883 მლნ. მან. განვითარებად ქვეყნებთან სსრკ-ის ეკონ. თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა სსრკ-ის ტექ. დახმარება. II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სსრკ-ის დახმარებით ექსპლუატაციაში შევიდა 1762 საწარმო, ნაგებობა და სხვა ობიექტი. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება (1983 წ. 1 იანვ. მი-

ზედაიო) ითვალისწინებს 3090 ობიექტის მშენებლობას. ეს ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებს ეკონ. დამოუკიდებლობის მოპოვებაში (იხ. აგრეთვე *საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა*).

ჯ. კახნიაშვილი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო დაწესებულება, რ-იც იკვლევს სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ძირითად პრობლემებს; შეიქმნა 1930 მოსკოვში კომუნისტური აკად. ეკონ. სექციის ბაზაზე. 1936-იდან სსრკ მეცნ. აკად. სისტემაშია.

ინ-ტს აქვს 6 სამეცნ. განყ-ბა: სოციალიზმის პილიტ. ეკონ. ზოგადი პრობლემების; კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზისა და სამეცნ.-ტექ. პროგრესის თეორ. პრობლემების; სოციალ. კვლავწარმოების; სოციალიზმის აგრ. პრობლემების; საბჭ. ეკონ. აზრის განვითარების ისტორიისა და საბჭ. ეკონ. გამოცდილების განზოგადების; დაგეგმვის, კოორდინაციისა და ინფორმაციის; სახ. მეურნ. გეგმიანი მართვის თეორიული პრობლემების ლაბორატორია. ინ-ტთან შექმნილია საერთო სამეცნ. საბჭო, აგრეთვე 5 პრობლემური და 3 სპეციალიზებული სამეცნ. საბჭო, რ-ებიც ანიჭებენ დოქტორისა და კანდიდატის სამეცნ. ხარისხს. 1950-იდან ინ-ტი ასრულებს ეკონ. საკითხების კვლევის დარგში მაკოორდინირებელი ცენტრის როლს. ინ-ტს აქვს ასპირანტურა და ბეჭდვითი ორგანო — ყოველთვიური ჟურნალი „ვოპროსი ეკონომიკი", რ-იც ამყარებს ფართო სამეცნ. კავშირს საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონ. დაწესებულებებთან.

სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობა სსრკ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობა, შედგა მოსკოვში 1922 წ. 30 დეკ. მონაწილეობდა 2215 დელეგატი (რსფსრ — 1727, უკრ. სსრ — 364, ამიერკავკ. სფსრ — 91; ბელორ. სსრ—33. სოც. შემადგენლობა: მუშა 44,4%, გლეხი 26,8%, ინტელიგენტი და მოსამსახურე 28,8%. პარტ. შემადგენლობა: რკპ (ბ) წევრი და კანდიდატი 94,1%, სხვა პარტიებიდან 0,2%, უპარტიო 5,7%). დღის წესრიგი: სსრკ შექმნის შესახებ დეკლარაციის განხილვა (ი. სტალინი). ცაკის არჩევნები.

მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი საბჭ. სახელმწიფოს — სსრ კავშირის შექმნა გამოწვეული იყო ობიექტური ეკონ. და პოლიტ. მიზეზებით, განპირობებული იყო რევ. მონაპოვრის დაცვისა და საზღვის სოციალ. გარდაქმნის აუცილებლობით. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ საბჭ. რესპუბლიკებს შორის ჩამოყალიბებული პოლიტ.-სამხ., სამეურნეო და დიპლ. კავშირი უნდა გაბმტკიცებულიყო სახელმწიფოებრივი გაერთიანებით. სსრკ შექმნის საქმეში ხელმძღვ. როლს ასრულებდა კომუნისტური პარტია. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ერთიანი საკავშ. სახელმწიფოს შექმნის გეგმა თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობითი კავშირის ფორმით, რ-ის საფუძველი გახდა საბჭოების ხელისუფლება. მხარი დაუჭირა რა ლენინურ ინიციატივას, რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა 1922 წ. 6 ოქტ. ცნო რსფსრ, უკრ. სსრ, ბელორ. სსრ და ამიერკავკ. სფსრ „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირად" გაერთიანების აუცილებლობა. სსრკ კონსტიტუციური საფუძვლების შესამუშავებლად შეიქმნა კომისია რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით. რესპუბლიკების ცკ-ების პლენუმებმა (1922 ოქტ.-დეკ.) მოიწონეს საბჭ. რესპუბლიკების გაერთიანების ლენინური იდეა. სრულიად უკრ. VII, სრულიად ბელორ. IV, ამიერკავკ. საბჭოების I და სრულიად რუს. X ყრილობებმა (1922 დეკ.) მოიწონეს გაერთიანება და სრულუფლებიანი დელეგაციები მიავლინეს სრულიად საკავშ. საბჭოების I ყრილობაზე. ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა ხელშეკრულება და დეკლარაცია სსრკ-ის შექმნის შესახებ. დედაქალაქად გამოცხადდა მოსკოვი. ცაკის შემადგენლობაში აირჩიეს 371 წევრი და 138 კანდიდატი ყველა რესპუბლიკიდან. მას დაევალა სსრკ საბჭოების II ყრილობისათვის მოემზადებინა ხელშეკრულებისა და დეკლარაციის საბოლოო ტექსტი. ცაკის I სესიაზე (30 დეკ.) აირჩიეს ცაკის პრეზიდიუმი 19 წევრისა და 13 კანდიდატის შემადგენლობით. ცაკის თავ-რეებად აირჩიეს მ. კალინინი (რსფსრ), გ. პეტროვსკი (უკრ. სსრ), ნ. ნარიმანოვი (ამიერკავკ. სფსრ), ა. ჩერვიაკოვი (ბელორ. სსრ), ცაკის მდივნად — ა. ენუქიძე.

გ. ბოსტოლანაშვილი.

სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობა, სსრკ მუშათა, გლეხთა და არმიის დეპუტატთა საბჭოების II ყრილობა, მიმდინარეობდა 1924 წ. 26 იანვრ-იდან 2 თებ-მდე მოსკოვში. ესწრებოდა 2124 დელეგატი (1540 გადამწყვეტი და 584 სათათბირო ხმით), დღის წესრიგი: საბჭ. მთავრობის მოღვაწეობა (ლ. კამენევი); სსრკ კონსტიტუციის დამტკიცება (ა. ენუქიძე); სსრკ ბიუჯეტი (მ. ვლადიმიროვი); ცენტრ. სას.-სამ. ბანკის შექმნა (ა. ციურუპა); სსრკ ცაკის შექმნა — კავშირის საბჭოს არჩევნები და ეროვნებათა საბჭოს დამტკიცება.

ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გლოვის დღეებში, მის ხსოვნას მიეძღვნა პირველი სხდომა. ვ. ი. ლენინის ანდერძისა და მისი შესრულების შესახებ სიტყვით გამოვიდნენ ი. სტალინი, კ. ვოროშილოვი, მ. კალინინი, ნ. კრუპსკაია, ა. ლუნაჩარსკი, კ. ცეტკინი, სსრკ მთავრობის წევრები, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ყრილობამ მიიღო მიმართვა „მშრომელი კაცობრიობისადმი!", 21 იანვარი გამოცხადდა გლოვის დღედ, გადაწყდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, მავზოლეუმის აგება წითელ მოედანზე, ვ. ი. ლენინის ძეგლების დადგმა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე ლენინგრადში. პეტროგრადს ეწოდა ლენინგრადი. ყრილობამ მოიწონა მოხსენება სსრკ მთავრობის მუშაობის შესახებ, დაამტკიცა სსრკ კონსტიტუცია, რ-ის მიხედვითაც ცაკი შედგებოდა 2 პალატისაგან: კავშირის საბჭოში აირჩიეს 414 წევრი და 220 კანდიდატი, ეროვნებათა საბჭოში — 100 წევრი (70 — რსფსრ, 5 — უკრ. სსრ, 5 — ბელორ. სსრ, 20 — ამიერკავკ. სფსრ). მიიღეს დადგენილება საფინანსო პოლიტიკის შესახებ, დაარსდა ცენტრ. სას.-სამ. ბანკი (1 თებ-იდან).

სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობა, მიმდინარეობდა 1925 წ. 13 —20 მაისს მოსკოვში, ესწრებოდა 1580 დელეგატი გადამწყვეტი და 696 — სათათბირო ხმით, მ. შ. რკპ (ბ) წევრი და კანდიდატი 80%, მუშა 40,5%, გლეხი 29%. დღის წესრიგი: სსრკ შემადგენლობაში თურქმ. და უზბ. სსრ-ების შესვლის შესახებ (გ. პეტროვსკი), სსრკ მთავრობის ანგარიში (ა. რიკოვი), სსრკ მრეწვ. მდგომარეობა (ფ. ძერჟინსკი), საბჭ. მშენებლობის საკითხები (მ. კალინინი), გლეხურ მეურნეობათა განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებები (ლ. კამენევი), სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენება (გ. სოკოლნიკოვი), წითელი არმიის შესახებ (მ. ფრუნზე), სსრკ ცაკის არჩევნები (ა. ენუქიძე).

ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება სსრკ შემადგენლობაში თურქმ. და უზბკ. სსრ-ების შესვლის შესახებ და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები სსრკ კონსტიტუციაში. ყრილობამ მოიწონა მთავრობის მოღვაწეობა და მისცა დირექტივა ცაკსა და სახკომსაბჭოს მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერებისა და საერთაშ.-სამეურნეო კავშირების განვითარების შესახებ. მოხსენებაში მრეწვ. მდგომარეობის თაობაზე აღინიშნა საბჭ. ეკონ. სწრაფი განვითარება 1924 წ. II ნახევრიდან. ყრილობამ დასახა მრეწვ., განსაკუთრებით კი მძიმე მრეწვ. შემდგომი განვითარების ღონისძიებები. სპეც. დადგენილებაში ყრილობამ მიუთითა, რომ კოოპერირება გლეხურ მეურნეობათა აღმავლობისა და გლეხობის სოციალ. მშენებლობაში ჩაბმის ერთადერთი გზაა. ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენების გამო ყრილობამ აღნიშნა, რომ სსრკ მშრომელებმა უცხოეთის ქვეყნების დახმარების გარეშე დაამყარეს მტკიცე საფინანსო წესრიგი. ყრილობამ მოიწონა შეიარაღებული ძალების გარდაქმნა და მიუთითა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობაზე. აირჩიეს სსრკ ცაკი 833 კაცის შემადგენლობით (581 წევრი და 252 კანდიდატი); კავშირების საბჭოში შევიდა 450 კაცი და 199 კანდიდატი; ეროვნებათა საბჭოში — 131 წევრი და 53 კანდიდატი.

სსრ კავშირის საბჭოების IV ყრილობა, მიმდინარეობდა მოსკოვში 1927 წ. 18—26 აპრ., ესწრებოდა 1601 დელეგატი გადამწყვეტი და 747 დელეგატი — სათათბირო ხმით. მ. შ. მუშა 47,1%, გლეხი 28,3%, მოსამსახურე 24,6%; კომუნისტი 72,5%. დელეგატთა შორის იყო 116 ქალი. დღის წესრიგი: სსრკ მთავრობის საანგარიშო მოხსენება (ა. რიკოვი), მრეწვ. მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივები (ვ. კუიბიშევი), სოფ. მეურნ. ძირითადი ამოცანები სახ. მეურნ. საერთო განვითარებისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით (მ. კალინინი), ქვეყნის თავდაცვა, წითელი არმიის მდგომარეობა (კ. ვოროშილოვი), კონსტიტუციური საკითხები, სსრკ ცაკის არჩევნები.

ყრილობამ მოიწონა საბჭ. მთავრობის საქმიანობა. კუიბიშევის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მთელი მრეწვ. პროდუქცია 1926—27 სამეურნეო წელს 20%-ით გაიზარდა, წარმოების საშუალებების დამამზადებელი მრეწვ. პროდუქციის მოცულობამ 23% მიაღწია. შესაბამის დადგენილებაში მთავრობას დაევალა უმოკლეს დროში შეემუშავებინა სსრკ სახ. მეურნ. განვითარების ხუთწლიანი გეგმა. კალინინის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საბჭ. სახელმწიფო ისტორიაში პირველად აყენებს საკითხს სოფლის მეურნეობაზე, როგორც საერთოდ სახ. მეურნ. განუყოფელ ნაწილზე. მოხსენებაში სპეც. თავი დაეთმო კოლ-ბებისა და საბჭ. მეურნეობების განვითარებას. ყრილობამ განსაზღვრა სოფ. მეურნ. ამოცანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით. ვოროშილოვის მოხსენებაში აღინიშნა იმ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობის შესახებ, რაც საჭირო იყო სსრკ თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. ყრილობამ დაადასტურა სსრკ ხალხთა ნება სხვა ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის. ყრილობამ შეიტანა ცვლილებები სსრკ კონსტიტუციაში (დადგინდა წარმომადგენელთა ნორმები საბჭოების საკავშ. ყრილობებზე: საქალაქო საბჭოებიდან 1 დეპ. 25 ათ. ამომრჩეველზე; საბჭოების საგუბერნიო და საოლქო ყრილობებისაგან — 1 დეპ. 125 ათ. ამომრჩეველზე. ყრილობამ შექმნა საგარეო და საშინაო ვაჭრობის ერთიანი სახ. კომისარიატი. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მიეცა სსრკ გაერთიანებული სახ. კომისარიატის უფლებები. აირჩიეს ცაკი, რ-ის შემადგენლობაში შევიდა 48 ეროვნების წარმომადგენელი.

გ. ბოსტოლანაშვილი.

სსრ კავშირის საბჭოების V ყრილობა, მიმდინარეობდა მოსკოვში 1929 წ. 20—26 მაისს. ესწრებოდა 1675 დელეგატი გადამწყვეტი და 884 სათათბირო ხმით. მ. შ. მუშა 56,4%, გლეხი 24,8, მოსამსახურე 18,8%. დღის წესრიგი: სსრკ მთავრობის საანგარიშო მოხსენება (მომხს. ა. რიკოვი), სახ. მეურნ. განვითარების I ხუთწლიანი გეგმა (საცრთო მომხსენებელი გ. კრჟიჟანოვსკი, მრეწვ. განვითარების გეგმის შესახებ — ვ. კუიბიშევი). სოფ. მეურნ. აღმავლობისა და სოფლად კოოპ. მშენებლობის შესახებ (მ. კალინინი); სსრკ ცაკის არჩევნები.

ყრილობამ მოიწონა საბჭ. მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ღონისძიებები, მიმართული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფ. მეურნ. სოციალ. რეკონსტრუქციის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფისაკენ; დაავალა მთავრობას მაქს. ყურადღება მიეპყრო კულტ. საკითხებისადმი და მიეღწია სავალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელებისათვის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, საერთო და პროფ.-ტექ. განათლების დონის ამაღლებისათვის, მშრომელთა რიგებიდან გამოსული სპეციალისტებისა და სამეცნ. კადრების მომზადებისათვის. ყრილობამ მიღებული ხუთწლიანი გეგმა ცალკეულ ასპექტთა როგორც „სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გაშლილი პროგრამა". აღინიშნა, რომ სოფ. მეურნ. აღდგენა ძირითადად დამთავრდა, მაგრამ სოფ. მეურნ. ზოგიერთი დარგის ზრდის ტემპი (განსაკუთრებით მარცვლეულის) შენელებულია. სოფ. მეურნ. განვითარებაში არის შეუსაბამობა მრეწველობასთან, რაც სოციალ. გარდაქმნების გზაზე სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის. საბჭ. ორგანოებს და მთავრობას დაევალათ მხარი დაეჭირათ სოფლების კოლექტ. მეურნეობაზე გადასვლისათვის, დაეძლიათ კულაკების წინააღმდეგობა. ამასთან ერთად, უნდა გატარებულიყო ღონისძიებანი ინდივიდ., ღარიბ და საშ. მეურნეობათა აღმავლობისათვის. მოიწონეს ცაკის დადგენილებები ერთიანი სას.-სამ. გადასახადის შესახებ, მოსავლიანობის ზრდის თაობაზე, ღონისძიებანი საბჭ. მეურნ. და კოლ-ბების განმტკიცებისათვის; დაისახა ღონისძიებანი საკოლმ. მოძრაობის გაშლისათვის.

ცაკში აირჩიეს 587 წევრი და 302 კანდიდატი. კავშირის საბჭოში შევიდა 451 წევრი და 239 კანდიდატი, ეროვნებათა საბჭოში — 136 წევრი და 63 კანდიდატი.

სსრ კავშირის საბჭოების VI ყრილობა, მიმდინარეობდა 1931 წ. 8—17 მარტს მოსკოვში. ესწრებოდა 2403 დელეგატი, მ. შ. გადამწყვეტი ხმით 1570. სოც. შემადგენლობა: მუშა 54,4%, გლეხი 25,6%, მოსამსახურე 20%. პარტ. შემადგენლობა: საკ. კპ(ბ) წევრი 72,8%, საკ. ალკ წევრი 2,4%, უპარტიო 24,8%. წარმოდგენილი იყო 66 ეროვნება, დღის წესრიგი: სსრკ მთავრობის ანგარიში (ვ. მოლოტოვი), სსრკ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობების ტრესტების მოხსენება საბჭ. მეურნეობების მშენებლობის შესახებ (ი. იაკოვლევი); სსრკ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, საკოლმ. და სატრაქტორო ცენტრების საკოლმ. მშენებლობის შესახებ (ი. იაკოვლევი); სსრკ კონსტიტუციის საკითხები (ა. ენუქიძე). ყრილობამ მთლიანად მოიწონა საბჭ. მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. დაავალა საბჭ. მთავრობას, განუხრელად განეგრძო მშვიდობის პოლიტიკა, განმტკიცებინა ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან; ამასთანავე, გაეთვალისწინებინა სამხ. საშიშროების ზრდა და ყოველმხრივ აემაღლებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სოფ. მეურნ. სოციალ. გარდაქმნის საკითხებს. დადგენილებაში „საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ" ხაზგასმული იყო საბჭ. მეურნეობების მსხვილი სანიმუშო მეურნეობების მნიშვნელობის შესახებ, რ-თაგანაც კოლ-ბები იღებდნენ სხვადასხვა სახის დახმარებას. დადგენილებაში „საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ" შეჯამებული იყო 1929—30 საკოლმ. მოძრაობა და დაისახა ამოცანები კოლ-ბის ორგანიზაციასა და მუშაობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე საკოლმ. მოძრაობის ძირითადი ფორმა არის სას.-სამ. არტელი. მოწონებულ. იქნა მთავრობის გადაწყვეტილება ოკრუგების ლიკვიდაციისა და რ-ნების, როგორც სოფლის სოციალ. რეკონსტრუქციის ძირითადი რგოლის, განმტკიცების შესახებ. აირჩიეს სსრკ ცაკი (კავშირების საბჭოში შევიდა 473, ეროვნებათა საბჭოში — 138 წევრი).

სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობა, მიმდინარეობდა 1935 წ. 28 იანვ.—6 თებ. მოსკოვში. ესწრებოდა 2022 დელეგატი გადამწყვეტი (მ. შ. 940 მუშა, 473 გლეხი, 609 მოსამსახურე) და 540 — სათათბირო ხმით. პარტ. შემადგენლობა: 1498 კომუნისტი, 99 კომკავშირელი, 425 უპარტიო. დღის წესრიგი: სსრკ მთავრობის ანგარიში (მომხს. ვ. მოლოტოვი); მძიმე მრეწვ. სახ. კომისარიატის ანგარიში (გ. ორჯონიკიძე); მეცხოველეობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ (მიწათმოქმედების კომისარი მ. ჩერნოვი და მარცვლეულისა და მეცხოველეობის მეურნეობათა სახ. კომისარი მ. კალმანოვიჩი); მოხსენება საკონსტიტუციო საკითხებზე (ა. ენუქიძე); სსრკ კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ (ვ. მოლოტოვი); სსრკ ცაკის არჩევნები. საანგარიშო მოხსენებაში შეჯამებული იყო სოციალ. მშენებლობის შედეგები, განისაზღვრა მისი შემდგომი პერსპექტივები. ერთხმად აღიარეს, რომ სსრკ სახ. მეურნეობაში სოციალ. წყობა გაბატონდა. ყრილობამ მოიწონა საბჭ. მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მძიმე მრეწვ. სახ. კომისარიატის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ I ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებამ განსაზღვრა სსრკ ინდუსტრ. სიმძლავრის შემდგომი ზრდა. შეიქმნა მრეწვ. ახ. დარგები (თვითმფრინავთმშენებლობა, საავტ., სატრაქტორო, თანამედროვე დაზგათმშენებლობა, ქიმ. და სხვ. მშენებლობები). ყრილობამ მიიღო ვრცელი დადგენილება მეცხოველეობის განმტკიცებისა და განვითარების შესახებ. მოხსენებაში საკონსტიტუციო საკითხებზე მითითებული იყო 1924 კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. 1935 წ. 1 თებ. გამართულმა საკ. კპ(ბ) ცკ-ის პლენუმმა გამოთქვა მოსაზრება საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის; სსრკ-ში კლასობრივი ძალების მდგომარეობასთან კონსტ. შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. დიდი პოლიტ. მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობის გადაწყვეტილებას საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის —(არასრულად თანასწორი არჩევნების — თანასწორით, მრავალსაფეხურიანის—პირდაპირით, ღია არჩევნების—დახურულით შეცვლა) შესახებ. ყრილობამ დაავალა სსრკ ცაკს აერჩიათ საკონსტიტუციო კომისია. ყრილობამ აირჩია სსრკ ცაკი. კავშირის საბჭოში შევიდა 607, ეროვნებათა საბჭოში — 150 წევრი.

სსრ კავშირის საბჭოების VIII ყრილობა, იხ. *სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა.*

სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა, მიმდინარეობდა მოსკოვში 1936 წ. 25 ნოემბრიდან — 5 დეკ-მდე, ესწრებოდა 2016 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. სოც. შემადგენლობა: მუშა 42%, გლეხი 40%, მოსამსახურე 18%, პარტიულობის მიხედვით: კომუნისტი 72%, უპარტიო 28%. წარმოდგენილი იყო 63 ეროვნება. ყრილობა მოიწვიეს სსრკ ახ. კონსტ. პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად, რ-იც წარმოადგინა 1935 წ. 6 თებ. სსრკ საბჭოების VII ყრილობის მიერ არჩეულმა სსრკ ცაკის საკონსტიტუციო კომისიამ. ჯერ კიდევ 1936 11 ივნ. ახ. კონსტიტუციის პროექტი მოიწონა სსრკ ცაკმა და გამოქვეყნდა სახ. განხილვისათვის. ყრილობაზე სსრკ ახ. კონსტ. პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ი. სტალინი. მოხსენებაში მოცემული იყო იმ ძირეულ ცვლილებათა ანალიზი, რ-იც მოხდა ქვეყნის საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში 1924 შემდეგ (სსრკ I კონსტ. მიღებიდან). ეკონომიკაში განმტკიცდა მეურნ. სოციალ. სისტემა (1937-თვის სოციალ. საკუთრებამ წარმოების იარაღებსა და წარმოების საშუალებებზე შეადგინა ქვეყნის ყველა საწარმოო ფონდის 98%), მოისპო ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლუატაცია, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კი — ექსპლუატატორული კლასი — კულაკობა. შეიცვალა არა მარტო საზ-ბის კლასობრივი სტრუქტურა, არამედ მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის სოც. ბუნება; ჩამოყალიბდა საბჭ. ხალხის სოც.-პოლიტ. და იდეური ერთიანობა; განმტკიცდა სსრკ ხალხთა მეგობრობა, რაც ნიშნავდა ლენინური ეროვნ. პოლიტიკის გამარჯვებას. ყველა ეს ცვლილება აისახა სსრკ ახ. კონსტიტუციაში.

ყრილობამ ძირითადად მოიწონა და მიიღო სსრკ კონსტ. პროექტი იმ დამატებათა და შესწორებათა განსახილველად, რ-ებიც გამოითქვა რფგორც საყოველთაო-სახ. განხილვის, ისე ყრილობის მუშაობის დროს, და საბოლოო ტექსტის დასადგენად შეიქმნა სარედაქციო კომისია 220 კაცის შემადგენლობით (თავ-რე ი. სტალინი). 1936 წ. 5 დეკ. ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სსრკ ახ. კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი, რ-იც წარმოადგინა სარედაქციო კომისიამ. ეს კონსტიტუცია მოქმედებდა 1977 ოქტ-მდე — სსრკ ახ. კონსტ. მიღებამდე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის მთავარი ფორმა და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის საფუძველი, გეგმათა სისტემის ერთ-ერთი სახეობა. გეგმების სისტემა მოიცავს მეცნ. ტექ. პროგრესის 20 წლის (ხუთწლედების მიხედვით) კომპლ. პროგრამას, სსრკ ეკონ. და სოც. განვითარების ძირითად მიმართულებებს ათი წლისათვის (ხუთწლედების მიხედვით), ხუთწლიანსა (წლების მიხედვით დავალებათა განაწილებით) და წლიურ გეგმებს. სახ.-სამ. გეგმების სისტემა ასახავს გაფართოებული სოციალ. კვლავწარმოების კანონზომიერებებს.

კომუნისტური პარტიის მიერ ხანგრძლივი პერიოდის სტრატეგიული მიმართულებებით დასახული სახალხომეურნეობრივი ამოცანების რეალიზაციის ძირითადი ფორმაა ხუთწლიანი გეგმები, რ-ებშიც დაკონკრეტებულია ხანგრძლივი პერიოდის გეგმების მიზნები, მოცემულია მათი განხორციელების თანამიმდევრობა და ვადები, გათვალისწინებულია ღონისძიებები, რ-ებიც ხელს შეუწყობენ სახ. მეურნ. წინაშე მდგომი ამოცანების მეცნიერულად დასაბუთებას.

ხუთწლიანი გეგმები ითვალისწინებს როგორც სამეურნეო მშენებლობას, ისე სოც. პროგრესს. მათი მიზანია სოციალ. საზ. წარმოების უმაღლესი მიზნის მიღწევა — ხალხის მატერ. და სულიერ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილება.

სსრკ ს. მ. გ. ხ. გ-ში გათვალისწინებულია მართვისა და დაგეგმვის დარგობრივი და ტერიტორიუ-

ლი პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნები. ხუთწლიან გეგმებში ასახულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და მსხვილი ეკონ. რ-ნების, როგორც ერთიანი ქვეყნის ორგანულად შერწყმული ნაწილების სახ. მეურნ. განვითარების ძირითადი მაჩვენებლები.

სსრკ სახ. მეურნ. განვითარება ხუთწლიანი გეგმების საფუძველზე 1928 ბოლო კვარტალიდან დაიწყო.

პირველი ხუთწლიანი გეგმის (1927/28—1932/33) ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო გადამწყვეტი შეტევა კაპიტალ. ელემენტებზე, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფართოდ გაშლა, წვრილსაქონლო სოფ. მეურნ. სოციალისტურად გარდაქმნა, საზ. სექტორის ხვ. წ. გადიდება ეროვნ. შემოსავალში და ა. შ.

ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი უდიდესი სოც. ამოცანა იყო ქალაქად უმუშევრობის შემცირება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სხვ. I ხუთწლიანი გეგმა შესრულდა 4 წელიწადსა და 3 თვეში. ხუთწლედის შესრულებით სსრკ-ში გადაიჭრა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის დიდი პრობლემები. აშენდა სოციალ. ეკონ. მყარი ფუნდამენტი. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრ. სახელმწიფოდ. მრეწველობაში მეურნ. ერთადერთ ფორმად სოციალ. საწარმოები გადაიქცნენ. ხუთწლედის ბოლოს საბჭ. მეურნეობები და კოლ-ბები აწარმოებდნენ სასაქონლო მარცვლეულის 84%-ს, გეგმით გათვალისწინებული 43%-ის ნაცვლად. I ხუთწლიანი გეგმის შედეგებმა და განხორციელებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სახ. მეურნ. დაგეგმვის თეორიისა და მეთოდოლ. სრულყოფაში. იგი იყო პირველი კომპლ. გეგმა, რ-შიც მოცემული იყო ქვეყნის ეკონ. და სოც. განვითარების ტემპებისა და პრპორციების ძეცნ. დასაბუთება. I ხუთწლედმა მთელ მსოფლიოს დაანახვა მეურნ. სოციალ. სისტემის უდიდესი უპირატესობანი კაპიტალისტურთან შედარებით, დაამკვიდრა მეურნ. მართვის პრინციპულად ახ. დემოკრ. ფორმები და მეთოდები.

II ხუთწლიანი გეგმა (1933—37) შემუშავდა პარტიის XVII კონფერენციის დირექტივების საფუძველზე. იგი დაამტკიცა საკ. კპ (ბ) XVII ყრილობამ. გეგმის ძირითადი პოლიტ. ამოცანა იყო კაპიტალ. ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია, ხოლო მთავარი სამეურნეო ამოცანა — სახ. მეურნ. ტექ. რეკონსტრუქციის დამთავრება, ყველა დარგის უახლესი ტექ. ბაზის შექმნა. ხუთწლედის ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურება იყო სამრეწვ. წარმოების „ა" ჯგუფის პროდუქციასთან შედარებით „ბ" ჯგუფის პროდუქციის წინმსწრები ზრდის ტემპი. ხუთწლედი გამოირჩეოდა ახ. მშენებლობათა ფართო მასშტაბით.

II ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. ეროვნ. შემოსავალი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. მთლიანად შესრულდა სოფ. მეურნ. კოლექტივიზაციისა და მისი ტექ. რეკონსტრუქციის დავალება. გადაჭრებით შესრულდა ძირითადი სას.-სამ. პროდუქტების წარმოების დავალებანი, აგრეთვე სამშენებლო პროგრამაც. ორჯერ გადიდდა სახ. მეურნ. ძირითადი ფონდები,. გაუმჯობესდა ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა განლაგება.

III ხუთწლიანი გეგმის (1938—42) ძირითადი ეკონ ამოცანა პარტიის XVIII ყრილობამ შემდეგნაირად განსაზღვრა: „დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს". ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელი იყო აჭარბებულიყო სახ. მეურნ. ყველა დარგის ტექ. დიწე, მკვეთრად დაჩქარებულიყო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, ეროვნ. შემოსავალი უნდა გადიდებულიყო 1,8-ჯერ. ხუთწლედი მოითხოვდა „ა" ჯგუფის პროდუქციის მწარმოებელ დარგთა ყოველნაირად განვითარებას. III ხუთწლედის სამი მშვიდობიანი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. განუწყვეტლად იზრდებოდა სამრეწვ. წარმოების მასშტაბი. ქვეყნის წარმატებით წინსვლა შეაჩერა ფაშისტური გერმ. ვერაგულმა თავდასხმამ. საბჭოთა კავშირმა II მსოფლიო ომის წინ სამრეწვ. წარმოების მოცულობით ევროპაში პირველი, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა. ომისა და ომის შემდგომ წლებში, ეკონ. გეგმაზომიერი განვითარება ხორციელდებოდა წლიური, კვარტალური, ოვიური და ზოგჯერ დეკადური სამხ.-სამეურნეო გეგმების საფუძველზე. ააგეს 3500 დიდი სამრეწვ. საწარმო და აღადგინეს 7400 საწარმო. III ხუთწლიანი გეგმის შედეგნა დიდი ნაბიჯი იყო სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის მეთოდოლ. სრულყოფაში. გეგმები გამოირჩეოდა უფრო ღრმა ტექ.-ეკონ. დასაბუთების დონით და მისი განაწყოფების უფრო სრული საბალანსო კავშირების უზრუნველყოფით.

IV ხუთწლიანი გეგმის (1946—50) მთავარი ამოცანა იყო დანგრეული მეურნ. აღდგენა, წარმოების ომამდელი დონის მიღწევა და გადაჭარბება. მრეწვ. გეგმა ითვალისწინებდა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას. მრეწვ. განვითარების ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო სახ. მეურნ. უზრუნველყოფა სათბობით. დიდი ამოცანები იყო დასახული კაპიტალ. მშენებლობის დარგში.

V ხუთწლიანი გეგმა (1951—55) ძირითადად ითვალისწინებდა სახ. მეურნ. ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას მძიმე მრეწვ. უპირატესი განვითარების, საზ. შრომის ნაყოფიერების ზრლის მაღალი ტემპების, პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების ბაზაზე; სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შემდგომ განვითარებას, საზ. წარმოებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუნუხრელ ამაღლებას. ამ ხუთწლედის მნიშვნელოვანი თავისებურება იყო წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპების დაახლოება. სხვაობამ ზრდის ტემპებს შორის შეადგინა 4% (IV ხუთწლეულში — 36%), ეროვნ შემოსავლის საშ. წლ. მატება უდრიდა 11%-ს გეგმით გათვალისწინებული 9,9%-ის ნაცვლად. მრეწვ. მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 13,2%-ით გეგმით დასახული 11,2%-ის ნაცვლად. გეგმის შესრულების შედეგად მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ სახ. მეურნ. განვითარების ომამდელ (1940) დონეს. 1955 მრეწვ. პროდუქციის წარმოება გაიზარდა 3,2-ჯერ: „ა" ჯგუფის პროდუქციის წარმოება — 3,9-ჯერ, „ბ" ჯგუფისა — 2-ჯერ. აშენდა 3200 დიდი სამრეწვ. საწარმო. 1955 სახ. მეურნ. ძირითადი წარმოებითი ფონდების მოცულობა 2-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე 1940. ხუთწლედში მრავალი ღონისძიება განხორციელდა სას.-სამ. წარმოების აღმავლობისათვის. გადიდდა კაპიტ. დაბანდებანი, განმტკიცდა სოფ. მეურნ. მატერ.-ტექ. ბაზა. დაიწყო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეკონ. თანამშრომლობა სოციალ. ქვეყნებთან და ა. შ.

VI ხუთწლიანი გეგმის (1956—60) მთავარი ეკონ. ამოცანა იყო სახ. მეურნ. შემდგომი აღმაველობა, მძიმე მრეწვ. უპირატესი განვითარების, განუხრელი ტექ. პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე. VI ხუთწლედის 3 წელიწადში მწყობრში ჩადგა 2690 დიდი სამრეწვ. საწარმო. გრძელდებოდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პროგრამის რეალიზაცია. 1960 ნათესმა ფართობებმა 203 მლნ. ჰა შეადგინა. VI ხუთწლედის დამახასიათებელი თავისებურება იყო ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების სახ. მეურნ. გეგმების კოორდინაცია.

VI ხუთწლედის პირველმა სამმა წელმა და შვიდწლიანი გეგმის (1959—65) შესრულებამ ერთად შეადგინა ორი ხუთწლედი. შვიდწლედის მთავარი ამოცანა იყო საწარმოო ძალების, ეკონ. ყველა დარგის ყოველმხრივი განვითარება, ქვეყნის ეკონ. პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერება, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა. გეგმა შესრულდა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. შვიდწლედის ბოლოს ეროვნ. შემოსავალი 1958-თან შედარებით გადიდდა 53%-ით, ძირითადი ფონდები — 91%-ით, შრომის ნაყოფიერება სახ. მეურნეობაში გაიზარდა 40%-ით, აშენდა 5470 დიდი სამრეწვ. საწარმო, გატარდა ღონისძიებანი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გასადიდებლად. 1956—65 სახ. მეურნ. განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად იყო სიძნელეებიც, გადაუჭრელი პრობლემები, განსაკუთრებით სოფ. მეურნ. განვითარებაში.

VIII ხუთწლიანი გეგმის (1966—70) მთავარი ეკონ. ამოცანა იყო მეცნ. და ტექ. მიღწევების გამოყენების, ეკონ., ინდუსტრიული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის გადიდების საფუძველზე მრეწვ. მნიშვნელოვანი ზრდა, სოფ. მეურნ. სწრაფი ტემპით განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იყო ქვეყნის ეკონ. განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ერთდროული დაჩქარება, აგრეთვე ის, რომ გეგმის შედგენა და რეალიზაცია ხდებოდა ეკონ. რეფორმის პირობებში.

VIII ხუთწლედის ძირითადი ამოცანები შესრულდა. ეროვნ. შემოსავალი გაიზარდა 41,5%-ით, რეალური შემოსავალი მოსახლეობის 1 სულზე — 33%-ით, მრეწვ. პროდუქციის წარმოება — 50,5%-ით, წარმოებითი ძირითადი ფონდები — 48%-ით. კაპიტ. მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები გადიდდა 43%-ით, საზ. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 37%-ით (წინა ხუთწლედში — 29%-ით), განხორციელდა დიდი სამშენებლო პროგრამა. მწყობრში ჩადგა 1900 დიდი სამრეწვ. საწარმო და ობიექტი. VIII ხუთწლედის მნიშვნელოვანი შედეგი იყო სახ. მეურნ. სტრუქტურის მკვეთრი გაუმჯობესება.

IX ხუთწლიანი გეგმა (1971—75) შედგა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე. ამ ხუთწლედით დაიწყო კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის უშეალო მშენებლობის ამოცანების გადაჭრა. ხუთწლედში გაგრძელდა წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარების, ეკონ. სტრუქტურის სრულყოფის, ხალხის კეთილდღეობის უფრო სწრაფი აღმავლობის კურსი. ხუთწლედში ბევრი სახის პროდუქციის წარმოებით სსრკ პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. გაუმჯობესდა სამრეწვ. წარმოების სტრუქტურა. ტექ. პროგრესისა და საზ. წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი დარგების წილი მრეწვ. პროდუქციაში 1970 31%-ს შეადგენდა, 1975 კი 36%-მდე გაიზარდა. მოხმარების საგნების წარმოება ხუთწლედში გადიდდა 37%-ით. განუხრელად მტკიცდებოდა სოფ მეურნ. მატერ.-ტექ. ბაზა.

ხუთწლედში ფართოდ გაიშალა მუშაობა გრანდიოზული გრძელვადიანი პროგრამების განსახორციელებლად (რსფსრ არაშავნიადაგიანი ზონის განვითარება, ღას. ციმბ. ნავთობისა და აირის კომპლექსის შექმნა, ბაიკალ—ამურის მაგისტრალის მშენებლობა).

X ხუთწლიანი გეგმის (1976—80) მთავარი ამოცანა განსაზღვრა სკკპ XXV ყრილობამ, სადაც აღინიშნა:

თანამიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, რათა საზ. წარმოების დინამ. და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, სამეცნ.-ტექ. პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახ. მეურნ. ყველა რგოლში რუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერ. და კულტ. დონე.

X ხუთწლედში გაძლიერდა საზ. წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესი და შედარებით შეიზღუდა ეკონ. ზრდის ექსტენსიური ფაქტორების მნიშვნელობა. ამაღლდა წარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. წინა ხუთწლედთან შედარებით ეროვნ. შემოსავალი გადიდდა 400 მლრდ. მანეთით, მრეწვ. პროდუქცია — 717 მლრდ. მანეთით და სოფ. მეურნ. პროდუქცია — 50 მლრდ. მანეთით. კაპიტ. დაბანდებებმა სახ. მეურნეობაში შეადგინა 634 მლრდ. მანეთი. ამოქმედდა 1200-ზე მეტი დიდი სამრეწვ. საწარმო, ძირითადი ფონდები გადიდდა 1,4-ჯერ, სახ. მოხმარების საქონლის წარმოება — 21%-ით. სოფ. მეურნეობაში დაბანდებული იყო 170 მლრდ. მანეთი. სწრაფი ტემპით იქმნებოდა ტერიტ.-საწარმოო კომპლექსები, განსაკუთრებით ჩრდ. და აღმ. რ-ნებში. ამაღლდა წარმოების ეფექტიანობა, გაიზარდა საზ. შრომის ნაყოფიერება. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ეროვნ. შემოსავლიდან გამოიყო 334 მლრდ. მანეთი. რეალური შემოსავალი 1 სულზე 18%-ით გადიდდა. საზ. მოხმარების ფონდებმა 527 მლრდ. მან. შეადგინა. საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 24%-ით, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა— 43%-ით, აშენდა 530 მლნ. $მ^2$ ფართობის საცხოვრ. სახლები.

X ხუთწლედის განმასხვავებელი ნიშანია კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის მშენებლობის მასშტაბის გადიდება და ქვეყნის ეკონ. პოტენციალის სწრაფი ზრდა. X ხუთწლედის შედეგებმა დაადასტურეს, რომ ეკონ. და სოც. განვითარების ყველა მიმართულებით ჩვენმა ქვეყანამ წინ წაიწია. მიღწეულმა მიჯნებმა საფუძველი შეუქმნეს კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანების დასახვას.

XI ხუთწლიანი გეგმით (1981—1985) დაიწყო ახ. დიდი ეტაპი კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნაში, საზ. ურთიერთობათა სრულყოფასა და ახ. ადამიანის ჩამოყალიბებაში. სკკპ XXVI ყრილობამ განსაზღვრა ხუთწლედის მთავარი ამოცანა: კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭ. ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ მყარად, შეუნელებლად განვავითაროთ სახ. მეურნ., დავაჩქაროთ მეცნ.-ტექ. პროგრესი და ეკონ. გადაყვანა ინტენს. განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ყოველი ღონისძიებით დავზოგოთ ყველა სახეობის რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი. ეროვნ. შემოსავალი გაიზრდება 18—20%-ით, მრეწვ. პროდუქციის წარმოება — 26—28%-ით, წარმოების საშუალებათა წარმოება—26—28%-ით, მოხმარების საგნებისა — 27—29%-ით, „ბ" ჯგუფის საქონლის წარმოების უპირატესი ზრდა ხუთწლედის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

XI ხუთწლიანი გეგმა შემუშავდა დაგეგმვის მეთოდოლ. უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე.

ხუთწლიანი გეგმების საწარმოო და სოც. პროგრამები ემსახურება ერთ მიზანს — ჩვენს ქვეყნაში კომუნისტური საზ. ბის აშენებას. ყოველი ხუთწლიანი გეგმა ამ ამოცანას წყვეტდა თავისი დროის პირობებისა და არსებული შესაძლებლობების შესაბამისად. თითოეული მათგანი არის ნიშანსვეტი ეკონ. სოც., მეცნ. და ტექ. განვითარებაში. *თ. ჭიაბრიშვილი.*

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა (სმმგ), მუდმივმოქმედი საკავშირო გამოფენა მოსკოვში, სადაც ხდება მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგების მიღწევათა დემონსტრირება-ჩვენება. სმმგ-ის მთავარი ამოცანაა აქტ. პროპაგანდა გაუწიოს მეცნ. ტექ., კულტ. მიღწევებს, უზრუნველყოს აგრეთვე სახ. მეურნ. ყველა დარგის მუშაკთათვის წარმოების ახ. მეთოდიკის სწავლება; შეიქმნა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 მაისის დადგენილების შესაბამისად; გამოფენას ხელმძღვანელობს სსრკ სმმგ-ის მთავარი კომიტეტი, კომიტეტს კი — სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე. მთავარი საგამოფენო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან სსრკ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავ-რეები, აგრეთვე გამოფენის დირექტორი. გამოფენამ მუშაობა დაიწყო 1959 წ. 16 ივნისს. მის ტერიტორიაზე 1980 იყო 78 პავილიონი (საერთო საექსპოზიციო ფართობი — 175 ათ. $მ^2$, ითვლის დაახლ. 100 ათ. ექსპონატს). გამოფენის მონაწილეები არიან სამეცნ.-კვლ. ორგანიზაციები, სახ. მეურნ. დარგების მოწინავე საწარმოები (ქ-ნები, ფ-კები, ელექტროსადგურები, კოლ-ბები და საბჭ. მეურნეობები, სასწავლებლები, კულტ. და ჯანმრთელობის დაწესებულებანი და ა. შ.). გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცენტრ. პავილიონს. მის პავილიონებში წლიურად საშუალოდ ეწყობა 75 თემატური გამოფენა. გამოფენის ტერიტორიაზე ეწყობა აგრეთვე საერთაშ. გამოფენები. მას ყოველწლიურად ათვალიერებს დაახლ. 11 მლნ. კაცი, მ. შ. 200 ათ-ზე მეტი უცხოელი. სმმგ-ის ხუროთმოძღვრული სახე განისაზღვრა ადრინდ. (1939 და 1954 წწ.) სკკავშ. სას.-სამ. გამოფენების დაგეგმარებითა და ნაგებობებით, რ-თა შექმნაში მონაწილეობდნენ ცნობილი არქიტექტორები (ვ. შჩუკო, ვ. გელფრეიხი, კ. ალაბიანი და სხვ.), მხატვრები (ბ. იოგანსონი, მ. სარიანი, ა. დეინეკა), მოქანდაკეები (ს. მერკუროვი, გ. მოტოვილოვი და სხვ.). ანსამბლს საფუძვლად უდევს 1939 გენ. გეგმა (არქიტ. ვ. ოლტარჟევსკი), რ-ის ძირითადი ელემენტები სრულყვეს 1954-ის გენ. გეგმაში (არქიტ. ა. შუკოვისა და რ. კლიქსის ხელმძღვანელობით). გამოფენის გამოცემებია: „ინფორმაციონნი ბიულეტენ ვდნხ სსრ", პროსპექტები, კატალოგები, ბროშურები, მეგზურები რუს., ინგლ. და ფრანგ. ენებზე. საუკეთესო მონაწილეებს აჯილდოებენ სატიტო და I, II და III ხარისხის დიპლომებით, ხოლო ექსპონატების ავტორებს — ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლებითა და ფულადი პრემიებით. სმმგ დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1971).

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რ-იც უზრუნველყოფს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვას და აკონტროლებს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებას; სსრკ ს. ს. კ. შეიქმნა 1921 წ. 22 თებ. რსფსრ სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტით.

კომიტეტში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ სკკპ-ისა და საბჭ. სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი: გ. კრჟიჟანოვსკი, ა. ციურუპა, ვ. კუიბიშევი, ნ. ვოზნესენსკი, ა. კოსიგინი, ნ. ტიხონოვი. საგეგმო კომიტეტის საქმიანობა აგებული იყო სოციალ. დაგეგმვის ლენინურ პრინციპებზე. სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტით ნათლად იყო განსაზღვრული საგეგმო კომიტეტის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი: ერთიანი საერთო-სახელმწ. სამეურნეო გეგმის, მისი განხორციელების მეთოდებისა და რიგითობის შემუშავება; საერთო-სახელმწ. გეგმებთან საწარმოო პროგრამებისა და სხვადასხვა უწყების, აგრეთვე საოლქო (სამეურნეო) ორგანიზაციების სახ. მეურნ. ყველა დარგის საგეგმო წინადადებების განხილვა და შეთანხმება.

ეკონ. განვითარებასთან, დარგთაშორისი, რესპუბლიკათაშორისი და საერთაშ. ეკონ. კავშირების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა და რთულდებოდა საგეგმო კომიტეტის ამოცანები, იცვლებოდა მისი ფუნქციები, სტრუქტურა, იხვეწებოდა დაგეგმვის მეთოდები და ფორმები. სსრკ ს. ს. კ-ის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწვ. და სახ. მეურნ. სხვა დარგების სამეურნეო გაძღოლის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრ. კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1979 მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

სსრკ ს. ს. კ-ის მთავარი ამოცანაა თანამედროვე პირობებში სკკპ პროგრამის, სკკპ ყრილობათა დირექტივების, სკკპ ცკ-ის მითითებათა და სსრკ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიმუშაოს სსრკ სახ. მეურნ. განვითარების წლიური, ხუთწლიანი და სხვა შორეული პერსპექტიული გეგმები, რ-ებიც უზრუნველყოფენ სსრკ ეკონ. დინამ. და პროპორციულ განვითარებას.

სსრკ ს. ს. კ-ის გეგმების შემუშავებისას სადირექტივო ორგანოების ხელმძღვანელობით ატარებს ერთიან მეთოდოლოგიურსა და მეთოდურ ხაზს, რ-იც სავალდებულოა სსრკ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომიტეტების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. კომიტეტი ისწრაფის, რომ გეგმები იყოს ოპტიმალური და ემყარებოდეს სოციალიზმის ეკონ. კანონებს, ითვალისწინებდეს მეცნ. და ტექ. თანამედროვე მიღწევებსა და პერსპექტივებს, კომუნისტური მშენებლობის ეკონ. და სოც. პრობლემებზე მეცნ. კვლევის შედეგებს, საზ. მოთხოვნილებათა ყოველმხრივ შესწავლას. ამასთან, გეგმებში სწორად უნდა იყოს ჰარმონიული მართვის დარგობრივი და ტერიტ. პრინციპი.

საგეგმო კომიტეტი ამზადებს წინადადებებს სსრკ ეკონ. და სოც. განვითარების გეგმებისა და სხვა სოციალ. ქვეყნების სახ. მეურნ. გეგმების კოორდინაციის შესახებ; ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს წევრებთან შრომის სოციალ. დანაწილების გაღრმავების საფუძველზე, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების სახელმწიფოთაშორისი გაუმჯობესების შესახებ; შეიმუშავებს აგრეთვე საგარეო ვაჭრობისა და სხვა ქვეყნებთან ეკონ. თანამშრომლობის გეგმების პროექტებს.

საგეგმო კომიტეტი ფართოდ იყენებს დაგეგმვის საბალანსო მეთოდს; შეიმუშავებს მატერ., შრომითსა და ღირებულებით, აგრეთვე მთლიანად სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სახ. მეურნ. ბალანსებს. სამეცნ.-ტექ. პროგრესის მიღწევების მაქს. გამოყენების მიზნით და საწარმოთა რეზერვების უფრო და უფრო მეტი გამოყენებისათვის საგეგმო კომიტეტი გამოიყენებს პროგრ. ტექ- ეკონ. ნორმებსა და ნორმატივებს.

საგეგმო კომიტეტი აწესებს კონტროლს სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სახელმწ. გეგმების შესრულებაზე, გამოაველენს რეზერვებს წარმოების შემდგომი ზრდისათვის, საწარმოო ფონდების სიმძლავრეებისა და მატერ. რესურსების უფრო მაღალეფექტიანად გამოყენებისათვის, რენტაბელობის ამაღლებისა და სსრკ სახ. მეურნ. განვითარების სხვა ეკონ. მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად მოახსენებს სახჭ. მთავრობას გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ (იხ. აგრეთვე *საქართველ-*

ლოს სსრ საბელმწიფო საგეგმო კომიტეტი). *ივ. ქადარია.*

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, სსრკ უმაღლესი საბჭოს ოფიციალური (ყოველკვირეული) გამოცემა. გამოდის მოსკოვში 1938-იდან. ჯერ გამოდიოდა, გაზეთის სახით, 1954-იდან კი—როგორც ბიულეტენი (მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე). უწყებებში ქვეყნდება სსრკ კანონები, სსრკ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებები, სსრკ-ის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები, კონვენციები და შეთანხმებები, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები სსრკ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისა და საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ, მასალები სსრკ უმაღლესი საბჭოსა და მისი პალატების, მუდმივი კომისიებისა და პრეზიდიუმის მუშაობის, მოკავშირე რესპუბლიკების ადმ.-ტერ. დაყოფაში ცვლილებების შესახებ და სხვ. ანალოგიურ უწყებებს გამოსცემენ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოები.

„სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურისათვის“, სამხედრო ორდენი, რ-იც დაწესდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წ. 28 ოქტ. ბრძანებულებით. ავჯილდოებენ საბჭ. არმიის, სამხ.-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების სამხ. მოსამსახურეებს საბრძოლო და პოლიტ. მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის, ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნისა და ახ. საბრძოლო ტექ. ათვისებისათვის, აგრეთვე სამშობლოს წინაშე სხვა დამსახურებისათვის. ორდენი 3 ხარისხისაა. ორდენის ნიშანი ამოზნექილი 8-ქიმიანი ვარსკვლავია, დამზადებულია ვერცხლისაგან. I და II ხარისხის ორდენები ნაწილობრივ მოოქრულია. ატარებენ მკერდის მარჯვ. მხარეს, წითელი ვარსკვლავის ორდენის შემდეგ. იხ. ფერადი ჩანართი *ორდენები სსრ კავშირისა*.

სსრ კავშირის ცენტრალური ალმასრუსებელი კომიტეტი (სსრკ ცაკი), სსრკ 1924 კონსტიტუციის მიხედვით (სსრკ 1936 კონსტ. მიღებამდე), სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო სრულიად საკავშირო *საბჭოების ყრილობათა* შუა პერიოდში. სსრკ ცაკი მთელი თავისი საქმიანობისათვის პასუხისმგებელი იყო საბჭოების საკავშ. ყრილობის წინაშე. იგი 2 თანასწორუფლებიანი პალატისაგან შედგებოდა: კავშირის საბჭო, რ-საც ირჩევდა საბჭოების ყრილობა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან თითოეულის მოსახლ. პროპორციულად; ეროვნებათა საბჭო, რ-იც იქმნებოდა ყოველი მოკავშირე და ავტონ. რესპ. 5—5 და ავტონ. ოლქის თითო წარმომადგენლისაგან. სსრკ ცაკი სესიებზე იკრიბებოდა (სესიათა შუა პერიოდში უმაღლესი სახელმწ. ხელისუფლება ეკუთვნოდა ცაკის პრეზიდიუმს). იგი ახორციელებდა საკანონმდებლო, განმკარგულებელ, აღმასრ. და საკონტროლო ფუნქციებს. სსრკ ცაკის კომპეტენციაში შედიოდა საბჭოების ყრილობის მოწვევა, მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ხელმძღვანელობა, სსრკ სახკომსაბჭოს შექმნა, კოდექსების, დეკრეტების, დადგენილებების გამოცემა. სსრკ ცაკის აქტები შესასრულებლად სავალდებულო იყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.


სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (სსრკ ცსს), სსრ კავშირში სოციალისტური აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო; შეიქმნა 1918; 1930—48 იყო სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის გამგებლობაში. 1948—78 სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებობდა. მთავარი ამოცანები: შემუშავება და მთავრობისათვის დროულად წარდგენა მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტ. მონაცემებისა, რ-ებიც ახასიათებენ სახელმწ. გეგმების შესრულების მსვლელობას, საზ. წარმოების ეფექტიანობას, მეცნ. ტექ. პროგრესს და სხვ.; აღრიცხვისა და სტატისტ. ორგანიზაციის სტატისტიკური მაჩვენებლების ერთიანი სისტემის მეცნ. მეთოდოლ. და ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა; სახელმწ. სტატისტ. ავტომატიზებული სისტემის შექმნა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სახ. მეურნ. ანგარიშგებითი ბალანსის, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის შედგენა, სსრ კავშირის სახ. მეურნ. განვითარების სახელმწ. გეგმების შესრულების შესახებ ცნობებისა და სხვ. სტატისტ. მასალების გამოქვეყნება.

სსრკ ცსს თავის საქმიანობას წარმართავს მოკავშირე, რესპუბლიკების ცსს-ებისა და სახელმწ. სტატისტ. ადგილ. ორგანოების მეშვეობით.

სტაბატ მატერ (შემოკლ. ლათ. Stabat mater delorosa — იდგა მგლოვიარე დედა), კათოლიკურ საეკლესიო ყოფაში შემორჩენილი ერთ-ერთი შუასაუკუნოებრივი სეკვენცია. ტექსტი შეიცავს 20 სამმხრიან სტროფს და დაწერილი უნდა იყოს რომელიმე ბერის მიერ. ს. მ. შევიდა ლიტურგიკულ წიგნში. მას გარკვეული მელოდიით ასრულებდნენ. XV ს-ში შეიქმნა მრავალხმიანი ს. მ. ტრად. მელოდიის გამოყენებით ს. მ-ს წერდნენ ჟოსკენ დე-პრე, პალესტრინა და სხვ.

სტაბილიზატორი (<ლათ. stabilis—მდგრადი, მუდმივი) ელექტრული, მოწყობილობა, რ-იც ავტომატურად უნარჩუნებს მუდმივ მნიშვნელობას ელექტრულ ძაბვას ელექტროენერგიის მიღების შესასვლელზე (ძაბვის ს.) ან დენის ძალას მის წრედში (დენის ს.), მიუხედავად მკვებავ ქსელში არსებული ძაბვისა და დატვირთვის სიდიდის ცვალებადობისა. ძაბვის სტაბილიზაციისათვის იყენებენ ფერომაგნ. (მ. შ. ფერორეზონანსულ) და ელექტრონულ ს-ებს. სსრკ-ში ამზადებენ ცვლადი ძაბვის (უმეტესად ფერომაგნ.) ერთ- და სამფაზიან ს-ებს (სიმძლავრე — რამდენიმე ათეული *ვა*-იდან ასეული *კვა*-მდე) და მუდმივი ძაბვის (ძირითადად ნახევარგამტარიან) ს-ებს (სიმძლავრე — რამდენიმე *ვტ*-იდან რამდენიმე ათეულ *კვტ*-მდე). დენის (როგორც წესი, მუდმივი დენის) სტაბილიზაცია ხდება ან ელექტრონული ხელსაწყოების (*ბარეტერი, ელექტროვაკუუმიანი დიოდი*), ან ელექტრონული მაძლიერებლების მეშვეობით. მუდმივი დატვირთვის დროს დენი მასში შეიძლება სტაბილიზებული იყოს აგრეთვე ძაბვის ს-ის მეშვეობით. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ფერორეზონანსული ს. (ნახ.), რ-ის დანიშნულებაა საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების, სამრეწვ. ელექტროავტომატიკის მარეგულირებელი და შემსრულებელი მოწყობილობების, საყოფაცხოვრებო ელექტრონელსაწყოებისა და რადიოაპარატურის კვების წრედებში (სიმძლავრე — ათეული *ვა*-იდან რამდენიმე *კვა*-მდე) ცვლადი ძაბვის (ჩვეულებრივ, სამრეწვ. სიხშირისა) სტაბილიზაცია. ასეთი ს. უზრუნველყოფს სტაბილიზაციის კოეფიციენტს, რ-იც ტოლია 3%-ისა.

სტაბილიზატორი საფრენი აპარატისა, აეროდინამიკური ზედაპირი, რ-იც საფრენი აპარატის ფრენის პროცესში უზრუნველყოფს მის მდგრადობას. თვითმფრინავის ს. მისი ჰორიზ. ფრთასხმულობის უძრავი ან მოძრავი წინა ნაწილია. უძრავი ს-ის დანიშნულებაა თვითმფრინავის მდგრადობის უზრუნველყოფა. მის უკანა ნაწილზე სახსრულად მაგრდება სიმაღლის საჭე. მოძრავი მართული ს., რ-საც ზოგჯერ არა აქვს სიმაღლის საჭე,



სტაბილიზატორი ელექტრული. ძაბვის ფერორეზონანსული სტაბილიზატორის ელექტრული სქემა: Uგ—ქსლის ძაბვა 127/220ვ; Uგ—სტაბილიზებული ძაბვა 220ვ; დრ 1—გაჯერებული დროსელი; დრ 2—უჯერი დროსელი; ატრ—ავტოტრანსფორმატორი; C—კონდენსატორი; მცვ1, მცვ2—მცველები 220—127ვ ქსლის ძაბვისათვის; Wკ—საკომპენსაციო გრაგნილი; δ—საკონტროლო ნათურა.


უზრუნველყოფს მდგრადობასაც და მართვადობასაც. ასეთ ს-ს საერთოდ იყენებენ ზებგერითს თვითმფრინავებზე. რაკეტის ს. მოთავსებულია მის ბოლო ნაწილში.

სტაბილიზაცია (<ლათ. stabilis—მდგრადი, მუდმივი), რისამე მყარი მდგომარეობის შექმნა, განმტკიცება. რაიმე სიდიდეთა ან პროცესთა მუდმივობის, თანაფარდობის, რიტმულობის, მდგრადობის შენარჩუნება.

სტაბილიზაცია ავტომატური მართვასა და რეგულირებაში, ავტომატური რეგულირების სისტემის (არს) დინამიკური თვისებების შეცვლა სისტემის არამდგრადობის მოსპობის, გარდამავალი პროცესის მილევის სიჩქარის გაზრდის, დამყარებული ცდომილებისა და გარე შეშფოთების სარეგულირებელ სიდიდეზე გავლენის შემცირების მიზნით. ს-ს ახორციელებენ სისტემის პარამეტრებისა და სტრუქტურის შეცვლით.

შეკრული სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად ყველაზე მარტივად ს. შეიძლება განხორციელდეს სისტემის განრთულ მდგომარეობაში მდგრადი სისტემისათვის გაძლიერების მცირე კოეფიციენტის შერჩევით, მაგრამ ეს იწვევს სისტემის სწრაფქმედების შემცირებასა და დამყარებული ცდომილების გაზრდას. სისტემის ს. და მასთან მისი სწრაფქმედების გაზრდა შეიძლება მიღწეულ იქნეს მარეგულირებელ ზემოქმედებაში გაუთანხმოების წარმოებულის პროპორციული სიგნალის შეტანით, რაც აგრეთვე ამცირებს დინამ. ცდომილებას. რთულ სისტემებში მარეგულირებელ ზემოქმედებაში შეაქვთ გაუთანხმოების მაღალი რიგის წარმოებულებიც. სარეგულირებელ სიდიდეებზე დაბრკოლებათა ზემოქმედების შესამცირებლად ს-ის მარეგულირებელ ზემოქმედებაში შეაქვთ გაუთანხმოების ინტეგრალი, რის გამოც სისტემა ხდება ასტატიკური (იხ. *ასტატიკური სისტემა*) და სარეგულირებელი პარამეტრის დამყარებული ცდომილება არ აღემატება სისტემის სტრუქტურაში შეტანილი ინტეგრ. ელემენტის არამგრძნობიარობას. დინამ. ცდომილების შესამცირებლად მარეგულირებელ ზემოქმედებაში შეაქვთ გაუთანხმოების ორმაგი ინტეგრალი. გაუთანხმოების სიგნალის, მით უმეტეს მისი ინტეგრალის, შეტანა საგრძნობლად აუარესებს სისტემის მდგრადობას, ამის ასაცილებლად საჭიროა სათანადო ზომების მიღება (მაგ., მარეგულირებელ ზემოქმედებაში დამატებითი გაუთანხმოების სიგნალის წარმოებულის შეტანა). ს-ის უზრუნველსაყოფად მარეგულირებელი $y(t)$ ზემოქმედება გამოისახება შემდგნაირად:

$$y(t) = a_2 \int_0^t\int_0^t \varepsilon(t)dt^2 + a_1\int_0^t \varepsilon\,(t)dt + a^0\varepsilon(t) + a_1\frac{d\varepsilon(t)}{dt} + a_2\frac{d^2\varepsilon(t)}{dt^2} + \cdots + a_n\frac{d^n\varepsilon(t)}{dt^n},$$



სტაბილიტრონი. სტაბილიტრონის ჩართვის სქემა ძაბვის პარამეტრულ სტაბილიზატორში: C — სტაბილიტრონი; $R_ბ$—ბალასტური რეზისტორი; $U_{შეს}$—სასტაბილიზებული ძაბვა; $U_{გას}$—სტაბილიზებული ძაბვა.

სადაც $\varepsilon(t)$ გაუთანხმოების სიგნალია. როცა საჭიროა გარე ზემოქმედების (მაგ., კვების წყაროს სიმძლავრის შეცვლა, დატვირთვის ბიძგები და სხვ.) გავლენის შემცირება, ს-ს წარმართავენ გარე ზემოქმედების მიხედვით. ამ შემთხვევაში მარეგულირებელ ზემოქმედებაში შეაქვთ შემაშფოთებელი ზემოქმედების წარმოებულები და ინტეგრალები.

გ. ტყემელაშვილი.



სტავანგერი. ტაძარი. 1130—1300. აღმოსავლეთი ფასადი.

სტაბილიზაცია სიხშირისა (რადიოტექნიკაში), ავტოგენერატორში ელექტრული რხევების სიხშირის მუდმივობის შენარჩუნება (იხ. *გენერირება ელექტრული რხევებისა*). საწყისი მნიშვნელობიდან ავტოგენერატორის რხევათა სიხშირის გადახრა შეიძლება მოხდეს ტემპ-რის, ტენის, ატმ. წნევის, მკვებავი ძაბვის სიდიდის ცვლილებით და სხვ. სიხშირის ს-თვის საჭიროა სიხშირეზე გარე ფაქტორების გავლენის შემცირება, სიხშირის ცვლილების კომპენსაცია, რხევითი კონტურის ვარგისიანობის გაზრდა, ელექტრული სქემისა და მისი მუშაობის რეჟიმის სათანადო შერჩევა, მკვებავი ძაბვების ს. და სხვ.

მეტად გავრცელებულია კვარციანი ს., რ-ის დროსაც რხევითი კონტურის სახით იყენებენ ელექტრომექან. რხევითს სისტემას — პიეზოელექტრულ კვარცის რეზონატორს. *კვარციან გენერატორში* სიხშირის ს-ს განაპირობებს სიხშირის ტემპრული კოეფიციენტის მცირე სიდიდე, მისი პარამეტრების მდგრადობა გარე პირობების მიმართ და განსაკუთრებით მაღალი ვარგისიანობა. კვარცის ს-ის მქონე რადიოტექ. მოწყობილობას ფართოდ იყენებენ საშ. და დიდი სიმძლავრის რადიოგადამცემებში (იხ. *მაგალებელი გენერატორი*), დროისა და სიხშირის ეტალონებსა და სტანდარტებში და ა. შ.

განსაკუთრებით დიდია სიხშირის ს-ის ხარისხი კვანტურ გენერატორებში, რაც აიხსნება მიკროსისტემების (ატომები, მოლეკულები) დიდი მდგრადობით. გარდა ამისა, მიკროსისტემა (მაკროსისტემისაგან განსხვავებით) არ განიცდის დაძველებას და მექან. ზემოქმედებას.


გ. კიკვილაშვილი.

სტაბილიზებული ბაქანი, ბაქანი, რ-იც არ ღებულობს მონაწილეობას იმ კოსმოსური საფრენი აპარატის კუთხურ გადაადგილებებში, რ-ზეც იგი არის დაყენებული. ს. ბ-ის კუთხურ მდგომარეობას მოცემული მიმართულებების მიმართ ინარჩუნებენ დიდი სიზუსტით, უმრავლეს შემთხვევაში ამას აღწევენ *გიროსკოპების* საშუალებით. ს. ბ-ზე ათავსებენ აქსელერომეტრებს, ასტროგადამწოდებს, მახვილად მიმართულ ანტენებსა და სხვა მოწყობილობებს, რ-ებისთვისაც აუცილებელია კუთხური მდგომარეობის სტაბილიზაცია. ს. ბ-ის გამოყენება შეიძლება აგრეთვე პოზიციურ გადამწოდად ორიენტაციის და კუთხური სტაბილიზაციის სისტემებში.



ჩვეულებრივი სტავრიდა-

სტაბილიტრონი [ლათ. stabilis — მდგრადი, მუდმივი და (*ელექ*)*ტრონი*,],



სტაბილიტრონის სქემა: 1—პლატინოტრონი; 2—მიმართულება, საითაც პლატინოტრონი აძლიერებს რხევებს; 3—რეგულირებადი ფაზამაბრუნი; 4—შთანმთქმელი; 5—მასტაბილიზებელი მაღალვარგისიანი მოცულობითი რეზონატორი; 6—რეზონატორის დგუში; 7—სიმძლავრის გამყოფი; 8—ზემაღალი სიხშირის ენერგიის ნაკადთა მიმართულება.

ორელექტროდიანი აირგანმუხტვის ან ნახევარგამტარიანი ხელსაწყო, რ-ის ძაბვა უმნიშვნელოდ იცვლება ხელსაწყოში გამავალი დენის გარკვეულ ფარგლებში ცვლილებისას. ს-ს იყენებენ ელექტრული წრედის მოცემულ უბანზე ძაბვის მუდმივობის შესანარჩუნებლად, მაგ., პარამეტრული (ნახ.) ან კომპენსაციური ძაბვის სტაბილიზატორებში (იხ. *სტაბილიზატორი ელექტრული*), იმპულსურ მოწყობილობებში და ა. შ.

აირგანმუხტვის ს. არის მღვივარი და გვირგვინისებრი განმუხტვის პრინციპით მოქმედი. მღვივარი განმუხტვის ს. წარმოადგენს რამდენიმე *კპა* წნევის ინერტიული აირით სავსე ბალონს, რ-შიც მოთავსებულია ელექტროდები. ასეთი ს-ის ძაბვა 60—150 *ვ*-ია, დენის ძალა კი— 5—40 *მა*. გვირგვინისებრი განმუხტვის ს. წყალბადით ავსებული ელექტროდებიანი ბალონია; იყენებენ მაღალი ძაბვის (~ $3\cdot10^2$—$3\cdot10^4$ *ვ*) სტაბილიზაციისათვის, როცა დენი მცირე სიდიდისაა (~ 10^{-2}-იდან 1—1, 5*მა*-მდე).

სილიციუმის ნახევარგამტარიან ს-ს ამზადებენ 5—300 *ვ*-მდე ძაბვისათვის.

გ. კიკვილაშვილი.

სტაბილოვოლტი, ელექტროვაკუუმური (აირგანმუხტვის) *სტაბილიტრონის* მოძველებული სახელწოდება.

სტაბილოტრონი, სიხშირის მიხედვით სტაბილიზებული ზემაღალი სიხშირის გენერატორი, რ-იც შედგება *პლატინოტრონისა* და *უკუკავშირის* წრედისაგან (ნახ.). *მაგნეტრონთან* შედარებით ს-ის ძაბვის გადახრა ერთი თანრიგით ნაკლებია, რაც გამოწვეულია სასარგებლო დატვირთვის სიდიდის, პლატინოტრონის ანოდის დენისა და გარემოს ტემპ-რის ცვლილებით.

სტადიონი [გვიანდ. ლათ. stadium, მრ. რ. stadia < ბერძნ. stadion — სტადიონი (სიგრძის საზომი)], რისაც განვითარების საფეხური, პერიოდი, ფაზა.

სტადიონი (ბერძნ. stadion — ადგილი შეჯიბრებისათვის), სპორტული ნაგებობა, რ-ის შემადგენლობაში შედის სპორტული არენა, მაყურებელთა ტრიბუნები, მოედნები სპორტ. თამაშებისა და ტანვარჯიშისათვის თავისი დამხმარე ნაგებობებითა და სათავსოებით. თანამედროვე ს. არა მარტო შეჯიბრების ჩასატარებელი ადგილია, არამედ ნაგებობათა მთელი კომპლექსი გამაჯანსაღებელი და სასწ.-საწვრთნელი მეცადინეობისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საქართველოში 67 ს-ია, მ. შ. ყველაზე დიდია თბილ. ვ. ი. ლენინის სახ. „დინამოს“ ს., რ-იც აშენდა 1935 (არქიტ. ა. ქურდიანი) და იტევდა 24000 მაყურებელს. 1976 ჩატარდა ს-ის რეკონსტრუქცია (არქიტ. ა. და გ. ქურდიანები, ინჟინერი შ. გაზაშვილი) და ამჟამად 75000 მაყურებელს იტევს. ს-ის ბაზაზე კულტივირებულია სპორტის 14 სახეობა და ერთდროულად შეიძლება 3000-მდე სპორტსმენმა ივარჯიშოს.

ს-ის პროტოტიპია ძვ. ბერძნ. ს-ები ოლიმპიაში, ათენსა და სპარტაში. სხვა ადგილებში, სადაც ტარდებოდა ოლიმპიური თამაშები და სხვა შეჯიბრებები. ოლიმპიური თამაშების აღორძინებას (1894) მოჰყვა ს-ების ფართო მშენებლობა (I ოლიმპიური თამაშებისათვის რეკონსტრუქცია გაუკეთდა ათენის ანტ. ს-ს). 1950—60-იან წლებში გავრცელდა დახურული ს-ების მშენებლობა.

სსრკ-ში ყველაზე ცნობილი ს-ია ვ. ი. ლენინის სახ. ცენტრ. ს. ლუჟნიკებში (მოსკოვი; 1955—56, არქიტექტორები ა. ვლასოვი, ი. როჟინი, ნ. ულასი, ა. ხრიაკოვი და სხვ.).

უცხოეთის ს-ებიდან აღსანიშნავია მარაკანის ს. რიო-დე-ჟანეიროში (1950, არქიტ. პ. პ. ბ. ბასტუსი და სხვ.), ოლიმპიური ს-ები რომსა (1959, არქიტექტორები პ. ლ. ნერვი და ა. ნერვი) და მიუნხენში (1968—72, არქიტ. გ. ბენიში და სხვ.) და სხვ.

სტავანგერი (Stavanger), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ.-დას. ნორვეგიაში, იერენის ნ.-კ-ზე, ბუკნ-ფიორდის სამხრ. სანაპიროზე. რუგალანის ფიულკეს ადმ. ცენტრი. 90,7 ათ. მცხ. (1981). გემთსაშენი, თევზგადასამუშ., საფეიქრო, სამკერვალო, რეზინქიმ., ნავთობგადასამუშ., პოლიგრ. მრეწველობა. თევზჭერის ცენტრი.

ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია რომანულ-გოტიკური ტაძარი (1130—1300). ს-ის მუზეუმი (არქეოლ. კოლექციები).

სტავრიდა (Trachurus), თევზების გვარი *ქორჭილასნაირთა* რიგისა. მათი თითისტარისებრი, წვრილკუდიანი სხეულის სიგრძე 50 *სმ*, მასა 400 გ აღწევს. შეიცავს 10 სახეობას. ბინადრობენ მსოფლიო ოკეანის სუბტროპ. და ზომიერად თბილ წყლებში. სსრკ-ში გავრცელებულია 4 სახეობა (2 — ბალტიის, შავ და აზოვის ზღვებში, 2 — იაპ. ზღვაში). შავ ზღვაში საქართვ. სანაპიროებთან გვხვდება 1 ქვესახეობა (Trachurus mediterraneus ponticus). აქვთ სარეწაო მნიშვნელობა. იყენებენ ნედლს, დამარილებულს, შებოლილს, ამზადებენ კონსერვებს.

მ. დემეტრაშვილი

სტავროლითი (ბერძნ. stauros — ჯვარი და ...*ლითი*), სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Fe^{2+}Al_4[SiO_4]_2O_2(OH)_2$; მინარევებია Co, Ni, Mn. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. კრისტალები პრიზმული აქვს; ხშირია ს-ის ჯვრისებრი მრჩობლები. მუქი წითელი, მურა შავი ან მურა ყვითელი ფერისაა. ელვარებს მინისებურად. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 7—7,5; სიმკვრივე 3650—3770 $кგ/მ^3$. გავრცელებულია მეტამორფულ ქანებში. გამჭვირვალე კრისტალებს იყენებენ სანახელავო ქვად.

სტავროპოლი (1935—43 ვოროშილოვსკი), ქალაქი, რსფსრ სტავროპოლის მხარის ცენტრი. რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. 281 ათ. მცხ. (1983). დაარსდა 1777 როგორც ციხესიმაგრე. 1785-იდან სამაზრო ქალაქია. ს-ზე გადიოდა კავკ. და რუს. ცენტრ. ევრ. რ-ნების დამაკავშირებელი საფოსტო ტრაქტი. 1897-იდან ტოტით დაუკავშირდა ვლადიკავკაზის რკინიგზას. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 1(14) იანვ. 1918 იელ-ში ხელთ იგდეს თეთრგვარდიელებმა. გაათავისუფლა წითელმა არმიამ 1920 წ. 29 თებ. 1942 წ. 3 აგვ-დან 1943 წ. 21 იანვ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

ს. მნიშვნელოვანი სამრეწვ. და ადმ.-კულტ. ცენტრია. განვითარებულია მანქანათსაშ., ქიმ., კვების, მსუბუქი მრეწველობა. არის საშენ მასალათა და ავეჯის მრეწვ. საწარმოები, პოლიგრ. კომბინატი და სხვ. ს-ში არის პოლიტექ., სას.-სამ., სამედ. და პედ. ინ-ტები, მოსკ. კოოპ. ინ-ტის ფილიალი, კავშირგაბმ. ელექტროტექნიკუმი, სამშენებლო, ტექნოლ., კოოპ. ტექნიკუმები; სამუსიკო, სამედ., პედ., კულტ.-საგანმან. და სამხატვრო სასწავლებლები; მრავალი სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. მხარეთმცოდნეობის და სახვითი ხელოვნ. მუზეუმები. მ. ლერმონტოვის სახ. დრამ. თეატრი, თოჯინების თეატრი.

სტავროპოლის მაღლობი, პლატოსებრი მაღლობი ჩრდ. კავკასიის ცენტრ. ნაწილში, რსფსრ სტავროპოლის მხარეში. მდებარეობს მდ-ების ყუბანის, კუმისა და კუმა-მანიჩის ღრმულს შორის. სიმაღლე 300—600 *მ*, მაქს. 831 *მ* (მთა სტრიჟამენტი). ხეობებითა და ხევებით დანაწევრებულია ცალკეულ მაგიდა მთებად. აგებულია კირქვებითა და თიხებით. სტეპი დახნულია. მაღალ ადგილებში ტყესტეპი და ფართოფოთლოვანი ტყეა. გა-

წყლოვანებულია ყუბან-ეგორლიკის წყლის სისტემითა და სტავროპოლის დიდი არხით. **სტავროპოლის მხარე,** შედის რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1924 წ. 13 თებ. [როგორც სამხრ.-აღმ. ოლქი (მხარე); 1924 წ. 16 ოქტ-იდან 1937 წ. 13 მარტამდე — ჩრდ. კავკ. მხარე; 1937 წ. 13 მარტიდან 1943 წ. 12 იანვ-მდე — ორჯონიკიძის მხარე]. ფართ. 80,6 ათ. კმ². მოსახლ. 2647 ათ. კაცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 52%. ცენტრი — ქ. სტავროპოლი. ს. მ-ის შემადგენლობაშია *ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი*.

ს. მ. მდებარეობს ჩრდ. კავკასიაში. ცენტრ. ნაწილი უკავია *სტავროპოლის მაღლობს* (სიმაღლე 831 მ-მდე), რ-იც აღმ-ით თერგ-კუმის დაბლობში გადადის, ჩრდ-ით კუმა-მანიჩის ღრმულს უერთდება. ს. მ-ის უკიდურეს სამხრ. ნაწილში აღმართულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი (მწვ. დომბაი-ულგენი, 4046 მ), მას აღმ-ით გამოეყოფა გვერდითი ქედი, რ-ზეც აღმართულია იალბუზი (5642 მ).

ს. მ-ში განვითარებულია კვების, მსუბუქი, მანქანათაშ., ქიმ., ენერგეტ., ლითონდასამუშ. და სამთომოპოვებითი მრეწველობა. სოფ. მეურნ. გამოირჩევა დარგების სიმრავლით. ს. მ. ნაზმატყლიანი მეცხვარეობისა და მარცვლეული მეურნ. დიდი რ-ნია. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, ჭვავი, წიწიბურა, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები, ბრინჯი; ტექ. კულტურებიდან — მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, აბუსალათინი, ქინძი, სოია, მდოგვი და კანაფი. მისდევენ მებაღეობას და მევენახეობას. განვითარებულია ტურიზმი, ალპინიზმი, ბევრია კურორტი (აქ არის *კავკასიის მინერალური წყლების* რ-ნი). ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1958).

სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკა, ეს სახელწოდება მიიღო სტავროპოლის გუბერნიამ იქ საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1918 წ. 1 (14) იანვარს, გუბერნიის სახ. კრების გადაწყვეტილებით. გუბ. აღმასკომის თავ-რე გახდა ესერ-მაქსიმალისტი გ. მეშჩერიაკოვი. 8 (21) იანვ., ღამით, აირჩიეს სახკომსაბჭო (თავ-რე ბოლშევიკი ა. პონომარიოვი). ს. ს. რ. გამოცხადდა რსფსრ შემადგენელ ნაწილად. საგუბერნიო აღმასკომი სცემდა გაზ. „ვლასტ ტრუდას". სახკომსაბჭო ცხოვრებაში ატარებდა საბჭ. ხელისუფლების პირველ დეკრეტებს. 28 აპრ. ესერებმა სტავროპოლში შექმნეს „სამხედრო რევოლუციური კომიტეტი", დააპატიმრეს სახკომსაბჭოს თავ-რე ა. პონომარიოვი და სხვ. ეს გამოსვლა ჩაახშეს, დაპატიმრებულები კი გაათავისუფლეს. 1918 წ. 9—14 მაისს მოიწვიეს საბჭოების საგანგებო საგუბერნიო ყრილობა, რ-მაც სახკომსაბჭოს ფუნქციები გადასცა ახლად არჩეულ საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმს; წევრობის უმრავლესობა ბოლშევიკი იყო. ჩრდ. კავკ. საბჭოების I ყრილობამ (1918 წ. 5—7 ივლ.) მიიღო გადაწყვეტილება ს. ს. რ-ის ჩრდ. კავკ. საბჭ. რესპ. შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

სტავროპოლური ცხვარი, წმინდამატყლიანი ჯიშის ცხვარი სამატყლე მიმართულებისა. გამოყვანილია სტავროპოლის მხარის სამომშენებლო „სოვეტსკოე რუნოში" (1923—50) ახალკავკ. მერინოსების შეჯვარებით ჯერ ამერ. რამბულიეს ერკემლებთან, შემდეგ გროზნოულ ჯიშებთან. ს. ი. გამოირჩევა მაღალპროდუქტიული მატყლით. ერკემლის მატყლის ნაპარსი შეადგენს 14—19 კგ (უდიდესია 25 კგ-მდე), ნერბისა 7—8 კგ (უდიდესია 13 კგ-მდე). მატყლი ხშირია, მაგარი, ერთგვაროვანი. აბრეშუმისებრი, 64-ე, 70-ე ხარისხისა, სიგრძე 8—10 სმ. სუფთა მატყლის გამოსავალია 40—43%. ერკემლის მასა 100—115 კგ, ნერბისა — 50—55 კგ, ნაყოფიერება — 120—140 ბატკანი 100 ნერბზე. გავრცელებულია ჩრდ. კავკ. რ-ნებში და ქვემო ვოლგისპირეთში.

სტავსკი (ნამდვ. გვარი კირპიჩნიკოვი) ვლადიმერ პეტრეს ძე [30. VII (12. VIII). 1900, პენზა, — 14. XI. 1943, დაღუპა ფრონტზე, დასაფლავებულია ქ. ველიკიე-ლუკიში], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1918-იდან. ს-ს ეკუთვნის მოთხრობების კრებული („სიკვდილზე ძლიერი", 1932), პიესა „ომი" (1941) და სხვ. 1936 — 41 იყო სსრკ მწერალთა კავშირის გენ. მდივანი, 1937-43—ჟურნ. „ნოვი მირის" რედაქტორი. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

სტაზი (ბერძნ. stasis—დგომა, უძრაობა), შეგუბება, რ-იმე მილოვანი ორგანოს სანათურში მისი ფიზიოლოგიური შიგთავსის შეჩერება, შეგუბება. მაგ., სისხლის ს. — ჰემოსტაზი, განავლის ს. — კოპროსტაზი, ლიმფის ს. — ლიმფოსტაზი და სხვ. ვითარდება ქიმ. და ფიზ. ფაქტორების, ბაქტერიების, შხამების, სისხლძარღვთა ინერვაციის დარღვევის, სისხლის შედგენილობის შეცვლისა და სხვათა შედეგად. ხანგრძლივმა ს-მა შეიძლება ქსოვილის *ნეკროზი* გამოიწვიოს

სტაინბეკი (Steinbeck) ჯონ ერნსტ (27. II. 1902, სალინასი, კალიფორნიის შტ.,— 20. XII. 1968, ნიუ-იორკი), ამერიკელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1962). პირველ წიგნებს „ოქროს ფიალა" (1929), „ზეციური საძოვრები" (1932). „უცნობ ღვთაებას" (1933) ყურადღება თითქმის არ მიუპყრია. წარმატება მოუპოვა რომანებმა „ტორტილია ფლეტი" (1935), „საეჭვო ბრძოლა" (1936), მოთხრობამ „თაგვებისა და ადამიანების შესახებ" (1937), მოთხრობების კრებულმა „დიდი ველი" (1938). ს-ის შემოქმედების შედევრადაა მიჩნეული რომანი „რისხვის მტევნები" (1939, პულიცერის პრემია). 40-იანი წლებიდან მის შემოქმედებაში გაძლიერდა ნატურალისტური ელემენტი, თუმცა მწერალს ადრინდ. თემისთვის არ გადაუხვევია (რომანები „კონსერვის ქარხნების რიგი", 1945; „სანტარო ხუთშაბათი", 1954). სოც. თემა ვითარდება ანტიფაშისტურ ალეგორიაში „მთავარე ჩაესვენა" (1942). ფოლკლორული სიუჟეტი უდევს საფუძვლად მოთხრობას „მარგალიტი" (1945). II მსოფლიო ომის შემდეგ ს-ის ნაწარმოებებში გამოჩნდა რთული ფილოს. თემები („გზასაცდენილი ავტობუსი", 1947). ავტობიოგრ. ხასიათი აქვს მის რომანს „სამოთხის აღმოსავლეთით" (1952). „ამერიკული ოცნების" კრახს გამოხატავს სოც.-ფსიქოლ. რომანი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა" (1961). აშშ-ში მოგზაურობის (1962) შედეგია ნარკვევები „მოგზაურობა ჩარლისთან ერთად ამერიკის საძებნელად" (1962). ს. რეალისტური პროზის ბრწყინვალე ოსტატია. იყო საქართველოში (1963).



სტავროპოლური ცხვარი (ერკემალი).



ჯ. სტაინბეკი.


თხზ.: ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, თბ., 1979; მარგალიტი, «ცისკარი», 1958, №2, 3; მრისხანების მტევნები, თბ., 1981; ტორტილია ფლეტი, თბ., 1979; ქრიზანთემები, თბ., 1966.

ლიტ.: შოშიტაიშვილი ზ., ჯონ სტეინბეკი ნობელის პრემიის ლაურეატია, «ცისკარი», 1963, №4; **История американской литературы**, ч. 2, М., 1971.

ლ. ჯინორია.

სტაინი (Stein) გერტრუდ (3. II. 1874, პიტსბურგი, პენსილვანიის შტ., — 27. VII. 1946, პარიზი), ამერიკელი მწერალი ქალი. მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა „დაკარგული თაობა". ს-ის მსოფლმხედველობა და ესთეტ. შეხედულებები ჩამოყალიბდა უ. ჯეიმზის პრაგმატისტული ფილოს., პ. სეზანის შემოქმედებისა და პ. პიკასოს კუბისტური ხელოვნ. გავლენით. მისი პროზა ექსპერიმენტულია;

სტავროპოლის მხარე





სტალაქტიტები და სტალაგმიტები.



ჟ. სტალი.

მეტყველების ინტონაციის, რიტმის, ტონალობის მეშვეობით ცდილობს გამოხატოს კავშირი ადამიანის ფსიქიკის ე. წ. ძირეულ ბუნებასა და შემდგომ შეძენილ თვისებებს შორის; უარყოფს ტრად. სიუჟეტსა და ხასიათს, იყენებს მხოლოდ აწმყო დროს, მაქსიმალურად ამარტივებს სინტაქსს, მიმართავს განმეორებებს, ვერბალიზმებს, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვის აკუსტიკას, უგულებელყოფს პუნქტუაციას. ს-ის მხატვრულ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია ნოველების კრებ. „სამი სიცოცხლე“ (გამოქვეყნდა 1908: მასში შედის 1905—06 დაწერილი „კეთილი ანა“, „სათნო ლენა“, „მელანქთა“), რომანი „ამერიკელების ჩამოყალიბება“ (1906—08, გამოქვეყნდა 1925), ლირ. პორტრეტები: „მატისი“, „პიკასო“, „სეზანი“, „აპოლინერი“ და სხვ. (1908—12), ესკიზი „ნაზი კვირტები“ (1914), „ელის ბ. ტოკლასის ავტობიოგრაფია“ (1932—33), თეორ. ნაშრომები „როგორ ვწეროთ“ (1931), „კომპოზიცია როგორც განმარტება“ და სხვ. *ნ. ქურდოვანიძე.*

სტაირონი (Styron) უილიამ (დ. 11. VI. 1925, ნიუ-პორტ-ნიუზი, ვირჯინიას შტ.), ამერიკელი მწერალი. მის ნაწარმოებებში ერთმანეთს ერწყმის ეგზისტენციალისტური და რეალისტური ტენდენციები. ს-ის რომანებიდან აღსანიშნავია „დაწექ წყვდიადში“ (1951), „ცეცხლს მიეც ეს სახლი“ (1960), „ნეტ ტერნერის აღსარება“ (1967, პულიცერის პრემია), „სოფის არჩევანი“ (1979) და სხვ. წერს აგრეთვე მოთხრობებს, პიესებს და სხვ.

სტაკატო (იტალ. staccato <staccare— მოწყვეტა, გამოცალკევება), ბგერათა მოკლედ, წყვეტილად შესრულება, მათი მკვეთრად გამოყოფა ერთიმეორისაგან. ლეგატოს საწინააღმდეგო შტრიხი. აღინიშნება სიტყვით staccato, ან წერტილებით ნოტებს ზემოთ ან ქვემოთ.

სტალაგმიტი (<ბერძნ. stalagma — წვეთი), მიწისქვეშა კარსტული ღრუების ფსკერზე წამოზრდილი სვეტისებრი, კონუსური და სხვა ფორმის უმთავრესად კირიანი ნაღვენთ-ნაწვეთი წარმონაქმნი. გამოილექება ზევიდან ჩამონაწვეთი კალციუმკარბონატით გაჯერებული წყლიდან ნახშირორჟანგის გამოყოფის შემდეგ. ზოგჯერ გვხვდება მარილისა და სხვა ს-ები.

სტალაქტიტები, მუკარნები (< არაბ. მუკარნას, სიტყვასიტყვით—ტერასისებრი სახურავი) არქიტექტურაში, ერთმანეთზე გადმოკიდებული საფეხურისებრ განლაგებული პრიზმული სახის დეკორაციული დეტალების რიგები (გამოქვაბულის სტალაქტიტების მსგავსად). გავრცელებული იყო არაბ. ქვეყნების, ირან., შუა აზიის შუა საუკ. ხუროთმოძღვრებაში. ს-ს ჩვეულებრივ ათავსებენ ტრომპებზე, ნახევარგუმბათებზე, ნიშების თაღებში ქმნიან კარნიზებს.

სტალაქტიტი (<ბერძნ. stalaktos — ჩამონაწვეთი), მიწისქვეშა კარსტული ღრუების ჭერსა და კედლებზე ჩამოზრდილი ლოლუების, მილების, ფოჩების მსგავსი (უმთავრესად კირიანი) ნაღვენთ-ნაწვეთი წარმონაქმნი. გამოილექება მღვიმეში ჩაჟონილი კალციუმკარბონატით გაჯერებული წყლის აორთქლების შედეგად. ზოგჯერ გვხვდება თაბაშირისა და მარილის ს-ები.

სტალი (Staël) ქმრის გვარი სტალ-ჰოლშტაინი Staël-Holstein), ან ლუიზ ჟერმენ დე (16 ან 22. IV. 1766, პარიზი, — 14. VII. 1817, იქვე), ფრანგი მწერალი ქალი. ფრანგ. პროგრ. რომანტიზმის წარმომადგენელი, ლიტ-რის თეორეტიკოსი. მისი სალონი იყო აბსოლუტიზმის ოპოზიციონერთა და კონსტიტუციონალისტთა ცენტრი. ს. იცავდა ისტ. პროგრესის პრინციპს, უპირისპირდებოდა რეაქციულ რომანტიზმს. წერდა მნიშვნელოვან თეორ., ლიტ. და პოლიტ. ნაშრომებს, ტრაქტატებს, მემუარებს („საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან კავშირში განხილული ლიტერატურის შესახებ“, 1800; „ათწლიანი გადასახლება“, გამოქვეყნდა 1821) და სხვ. ს-ს ეკუთვნის აგრეთვე ტრაგედია „ჯეინ გრეი“ (1787, გამოქვეყნდა 1890), რომანები „დელფინა“ (1802), „კორინა, ანუ იტალია“ (1807).

სტალი ლიუდმილა ნიკოლოზის ასული [2 (14). III. 1872, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი, — 23. IV. 1939, მოსკოვი], რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა და ქალთა საერთაშორისო მოძრაობის მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1897-იდან. პარტ. მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, ოდესაში, კურსკში, მოსკოვში, ეკატერინოსლავსა და კავკასიაში. იყო რსდმპ ადგილ. კომიტეტების წევრი. არაერთხელ იყო პატიმრობაბა და გადასახლებაში. 1907 ემიგრაციაში იყო, მუშაობდა ბოლშევიკურ სექციაში პარიზში, საფრ. სოციალ. პარტიაში. 1912—14 თანამშრომლობდა გაზ. „პრავდაში“. 1917 თებ. რევ. შემდეგ რსდმპ (ბ) პეტროგრ. კომიტეტის აგიტატორი. მონაწილეობდა რსდმპ (ბ) სრულიად რუს. VII (აპრილის) კონფერენციაში. აგვ-დან — კრონშტადტში რსდმპ (ბ) კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და საბჭოს აღმასკომის წევრი. 1918—20 პოლიტსაგანმან. სამუშაოზე იყო წითელ არმიაში, რკპ (ბ) უფის, ვიატკის (კიროვი) საგუბერნიო კომიტეტების წევრი. 1920-იდან რკპ (ბ) კავკ. ბიუროს მუშა ქალთა განყ-ბის გამგე. კომინტერნის აღმასკომის ქალთა საერთაშ. სამდივნოს წევრი (1921—23), რკპ (ბ) ცკ-ის მუშა ქალთა განყ-ბის თანამშრომელი, მუშა და გლეხ ქალთა მასობრივი ლიტ-რის განყ-ბის გამგე „გოსიზდატში“. ერთდროულად 1924 ჟურნ. „კომუნისტკის“ რედაქტორი. რკპ (ბ) VIII და XVI ყრილობების დელეგატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სტალინაბადი, იხ. *დუშანბე.*

სტალინგრადი, იხ. *ვოლგოგრადი.*

სტალინგრადის ბრძოლა 1942—43, დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს სტალინგრადის დაცვისა და მისი მიმართულებით მოქმედი გერმ. ფაშისტთა ჯარების დაჯგუფების განადგურების მიზნით საბჭ. ჯარების მიერ 1942—43 ჩატარებული თავდაცვითი (1942 წ. 17 ივლ. — 18 ნოემბ.) და შეტევითი (1942 წ. 19 ნოემბ.—1943 წ. 2 თებ.) ოპერაციები. კავკასიის ნავთობიან, დონის, ყუბანისა და ქვემო ვოლგის ნაყოფიერ რ-ნებში შეჭრის მიზნით გერმ. ფაშისტთა სარდლობამ 1942 ზაფხულში საბჭოთა კავშირ-გერმ. ფრონტის სამხრეთის ფრთაზე შეტევა წამოიწყო. სტალინგრადის მიმართულებით მოქმედებდა მე-6 არმია (270 ათ. ჯარისკაცი, 3 ათ. ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, დაახლ. 500 ტანკი, 1200 საბრძოლო თვითმფრინავი, სარდალი გენ.-პ. ფ. პაულიუსი). სტალინგრადის ფრონტს (62-ე, 63-ე, 64-ე, 21-ე, 28-ე, 38-ე, 57-ე საერთო-საჯარისო არმიები, მე-8 საჰაერო არმია, ჩრდ. კავკასიის ფრონტის 51-ე არმია. ამათგან რეზერვში იყო 57-ე, 38-ე და 28-ე არმიები, რომელთა ბაზაზე 1-ლი და მე-4 სატანკო არმიები ყალიბდებოდა. სარდალი საბჭ. კავშირის მარშალი ს. ტიმოშენკო, 23 ივლ-იდან — გენ.-ლ. ვ. გორდოვი) ევალებოდა 520 კმ სიგანის ფრონტზე თავდაცვა და მტრის შემდგომი წინსვლის აღკვეთა. ფრონტის შემადგენლობაში სულ 12 დივიზია (160 ათ. კაცი, 2200 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 400-მდე ტანკი, 454 თვითმფრინავი) იყო. მის ზონაში მოქმედებდა შორეული ავიაციის 200-მდე ბომბდამშენი, 60 გამანადგურებელი. საბჭ. ჯარებს მტერი სჭარბობდა მეომრებით 1,7-ჯერ, არტილერიითა და ტანკებით — 1,3-ჯერ, თვითმფრინავებით — 2-ჯერ. ფრონტის ძირითადი ძალები (62-ე და 64-ე არმიები) თავმოყრილი იყო დონის დიდ მოსაბრუნში, რომ მტერს ვერ გადაელახა მდინარე და უმოკლესი გზით სტალინგრადისაკენ არ გაჭრილიყო. სტალინგრადის მისადგომებზე მოსახლ. დახმარებით ოთხი თავდაცვითი რკალი მოეწყო. გარე, შუა, შიგა და საქალაქო. სტალინგრადის თავდაცვის კომიტეტმა და პარტიის საოლქო კომიტეტმა უზრუნველყვეს სახ. ლაშქრის შექმნა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება და ოლქის მშრომელთა მომზადება მტრის ზურგში მოქმედებისათვის. 17 ივლ-იდან მდ. ჩირისა და ციმლის ნაპირებზე ექვსდღიანი გაფხორებული ბრძოლებით 62-ე და 64-ე არმიების მოწინავე რაზმებმა დრო მოიგეს ზღუდის დაცვის სრულყოფისათვის. მტერი შეეცადა ამ ზღუდის გარღვევას, რომ გარემოეცვა საბჭ. ძალები, მოესპო ისინი და დასიდან გზა გაეხსნა სტალინგრადისაკენ, მაგრამ 62-ე და 64-ე არმიების თავდაცვის სიმტკიცემ, 1-ლი და მე-4 სატანკო არმიების კონტრდარტყმებმა მტრის განზრახვა ჩაფუშეს.

10 აგვ. ჩვენი ჯარები დონის მარცხ. ნაპირზე გადავიდნენ. სტალინგრადის თავდაცვის გარე რკალზე განლაგდნენ და მტერი შეაჩერეს. ჯერ კიდევ ივლ. ბოლოს მტერმა კავკ. მიმართულებიდან სტალინგრადისაკენ დაძრა თავისი მე-4 სატანკო არმია, რ-მაც 2 აგვ. კოტელნიკოვსკის მიაღწია და სტალინგრადს სამხრ.-დას-იდან დაემუქრა. მტრის უკუგდებისათვის ამ მიმართულებით შეიქმნა ახ. სამხრ.-აღმ. ფრონტი (სარდალი გენ.-პ. ა. ერიომენკო), რ-მაც მძლავრი კონტრდარტყმებით მტრის მე-4 სატანკო არმია თავდაცვის გარე რკალზე შეაჩერა. 23 აგვ. მტერი ვოლგაზე გავიდა და ჩრდ-იდან დარტყმით ქალაქის აღებას შეეცადა, მაგრამ შეჩერებულ იქნა. მტერმა ბრძოლაში ჩააბა მე-8 იტალ. და მე-3 რუმინ. არმიები. სექტ-ში სტალინგრადის რაიონში მტერს 80-ზე მეტი დივიზია ჰყავდა. ქალაქს იცავდნენ გენ.-ლ. ვ. ჩუიკოვის 62-ე და გენ.-მ. შუმილოვის 64-ე არმიები. ქალაქის ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. სტალინგრადის დამცველებს განუწყვეტელი კონტრიერიშებით ჩრდ-იდან მხარს უჭერდნენ 1-ლი გვარდიული, 24-ე და 66-ე არმიები, აგრეთვე 51-ე და 57-ე არმიები. 28 სექტ. სტალინგრადის ფრონტი დონის ფრონტად (სარდალი გენ.-ლ. კ. როკოსოვსკი), ხოლო სამხრ.-აღმ. ფრონტი—სტალინგრადის ფრონტად (სარდალი გენ.-პ. ა. ერიომენკო) გარდაიქმნა. 11 ნოემბ. მტერმა უკანასკნელად სცადა ქალაქის აღება, მაგრამ უშედეგოდ. 1942 წ. 18 ნოემბ. დასრულდა ს. ბ-ის თავდაცვითი პერიოდი. შეტევით ბრძოლებში ფაშისტებმა დაკარგეს 700 ათ. კაცი, 2 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ათასზე მეტი ტანკი, 1400-ზე მეტი თვითმფრინავი. ამავე დროს საბჭ. ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლის პირობები მომწიფდა.

საბჭ. სარდლობის ჩანაფიქრი ითვალისწინებდა დონის პლაცდარმიდან და სარპის ტბების რ-ნიდან კალაჩ-სოვეტსკის შემხვედრ მიმართულებებით მძლავრი დარტყმების განხორციელებას, რის შედეგადაც გარემოცული და შემდეგ განადგურებული იქნებოდა უშუალოდ სტალინგრადთან მოქმედი მტრის მთავარი დაჯგუფება. ამ დროს მტრის ჯარებთან შედარებით საბჭ. ძალები ითვლიდნენ 1,1-ჯერ მეტ მებრძოლსა და თვითმფრინავს, 1,5-ჯერ მეტ ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 2,2-ჯერ მეტ ტანკსა და თვითმავალ საარტ. დანადგარს.

კონტრშეტევა 19 ნოემბ. სამხრ.-დას. ფრონტის (სარდალი გენ.-ლ. ნ. ვატუტინი) ჯარების და დონის ფრონტის (სარდალი გენ.-ლ. კ. როკოსოვსკი) 65-ე არმიის დარტყმებით დაიწყო. დღის ბოლოსათვის სამხრ.-დას. ფრონტის ჯარებმა

25—35 კმ-ით წაიწიეს. 20 ნოემბ. ქალაქის სამხრეთიდან სტალინგრადის ფრონტი გადავიდა შეტევაზე (57-ე, 51-ე, არმიები, 64-ე არმიის მარცხ. ფრთის ჯარები), იმავე დღეს გაარღვია მტრის თავდაცვა და მთავარი ძალებით კალაჩ-სოვეტსკისაკენ გაემართა.

ორივე ფრონტის სატანკო, მექანიზებული და კავალერიის შენაერთები ერთიმეორის შემხვედრი მიმართულებებით სწრაფად უტევდნენ კალაჩ-სოვეტსკისაკენ. ძალთა ნაწილი (1-ლი გვარდიული, მე-5 სატანკო და 51-ე არმიის ცხენოსანი და მსროლელი კორპუსები) ბრძოლებს აწარმოებდა სამხრ.-დას. და სამხრ. მიმართულებით მტრის გარემოცული დაჯგუფების ირგვლივ გარე ფრონტის შექმნის მიზნით.

ს. ბ-ის ჩანაფიქრის განხორციელების შედეგად საბჭ. ჯარების ალყაში აღმოჩნდა გერმ. ფაშისტთა მე-6 არმიისა და ნაწილობრივ მე-4 სატანკო არმიის 22 დივიზია, სულ 330 ათ. კაცი. იმავე დღეს იარალი დაყარა რუმინელთა ჯარის დიდმა დაჯგუფებამ რასპოპინსკაიის რ-ნში. 12 დეკ. მტერი შეეცადა „ქვაბში“ მოქცეული თავისი ჯარების დებლოკირებას, მაგრამ ამაოდ. დეკ. დასასრ. მტრის გარემოცული ძალები შეტევაზე გადასული საბჭ. ჯარების შორეულ ზურგში დარჩა. მისი განადგურება დონის ფრონტის (66-ე, 24-ე, 65-ე, 21-ე, 57-ე, 64-ე, 62-ე საერთო საჯარისო და მე-16 საჰაერო არმიები) ჯარებს დაეკისრა.

25 იანვ. მტრის გარემოცული დაჯგუფება შეტევაზე გადასულმა დონის ფრონტის ჯარებმა ორ ჯგუფად გაკვეთეს. 31 იანვ. საბჭ. სარდლობას დანებდა სამხრეთის ჯგუფი (მე-6 არმია, სარდალი გენ. ფელდმარშალი ფ. პაულიუსი), 2 თებ. — ჩრდილოეთის ჯგუფი. დონის ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს 91 ათ. ტყვე. 140 ათ. კაცი მტერმა კაპიტულაციამდე დაკარგა. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ ს. ბ-ში მოპოვებულმა გამარჯვებამ ძირეული გარდატეხა შეიტანა დიდი სამამულო ომისა (1941—45) და II მსოფლიო ომის (1939—45) მსვლელობაში.

სტალინგრადის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ, საბჭოთა ჯარების სიმამაცემ, მასობრივმა გმირობამ და უტეხმა ნებისყოფამ.

ლიტ.: Василевский А. М., Дело всей жизни, М., 1973; Рокоссовский К. К., Солдатский долг, 2 изд., М., 1972. *ი. შაიმწყლაშვილი.*

რუკა — იხ. ჩანართი, გვ. 193.

სტალინი (ნამდვ. გვარი ჯუღაშვილი) იოსებ ბესარიონის ძე [9 (21). XII. 1879, გორი, — 5. III. 1953, მოსკოვი], კომუნისტური პარტიის, საბჭ. სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოღვაწე. მარქსიზმ-ლენინიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი. სკკპ წევრი 1898-იდან. დაიბადა მეწაღე ხელოსნის ოჯახში. 1894 დაამთავრა გორის სას. სემინარია და შევიდა თბილ. მართლმადიდებლურ სას. სემინარიაში. ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მარქსისტების გავლენით ჩაება რევ. მოძრაობაში. არალეგალურ წრეში შეისწავლა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, გ. პლეხანოვის შრომები. ს. იყო *„მესამე დასის“* წევრი, ეწეოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას თბილ. რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებს შორის. 1899 რევ. მოღვაწეობისათვის სემინარიიდან გარიცხეს, რის შემდეგაც არალეგალურად დაიწყო ცხოვრება და პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. შედიოდა რსდმპ თბილ., კავკ. კავშირის და ბაქოს კომიტეტების შემადგენლობაში, მონაწილეობდა გაზეთების „ბრძოლის“, „პროლეტარიატის ბრძოლის“, „ბაკინსკი პროლეტარის“, „გუდოკის“, „ბაკინსკი რაბოჩის“ გამოცემაში, იყო 1905—07 რევ. აქტ. მონაწილე ამიერკავკასიაში. რსდმპ-ის შექმნის დღიდანვე მხარს უჭერდა რევ. მარქსისტული პარტიის განმტკიცების ლენინურ იდეას, იცავდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ბოლშევიკურ სტრატეგიას და ტაქტიკას, იყო ბოლშევიზმის მტკიცე მომხრე, აკრიტიკებდა მენშევიკებისა და ანარქისტების ოპორტუნისტულ ხაზს რევოლუციაში. რსდმპ I კონფერენციის დელეგატი ტამერფორსში (1905), სადაც პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს, რსდმპ IV (1906) და V (1907) ყრილობების დელეგატი. იატაკქვეშა რევ. მოღვაწეობისათვის არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1912 რსდმპ სრულიად რუს. VI (პრაღის) კონფერენციის ცკ-ის სხდომაზე დაუსწრებლად აირჩიეს და კოოპტაციით შეიყვანეს ცკ-ის შემადგენლობაში და ცკ-ის რუს. ბიუროში. 1912—13 მუშაობდა პეტერბურგში, აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებში „ზვეზდა“ და „პრავდა“. მონაწილეობდა რსდმპ ცკ-ის თათბირში პარტ. მუშაკებთან (კრაკოვი, 1912). ამ პერიოდში დაწერა შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რ-შიც გააშუქა ეროვნ. საკითხის გადაჭრის ლენინური პრინციპები, გააკრიტიკა „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ოპორტუნისტული პროგრამა. ეს შრომა ვ. ი. ლენინმა დადებითად შეაფასა. 1913 თებ. კვლავ დაპატიმრეს და გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1917 წ. 12 (25) მარტს, დაბრუნდა პეტროგრადში, შეიყვანეს რსდმპ (ბ) ცკ-ის ბიუროში და „პრავდის“ რედაქციაში. ს-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო ახ. პირობებში პარტ. მუშაობის გაშლაში. მხარი დაუჭირა ბურჟ.-დემოკრ. რევ. სოციალისტურში გადაზრდის ლენინურ კურსს. რსდმპ (ბ) სრულიად რუს. VII (აპრილის) კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის ცკ-ის წევრად (ამ დროიდან მოყოლებული ცკ-ის წევრად არჩეული იყო ყველა პარტყრილობაზე XIX ყრილობის ჩათვლით). რსდმპ(ბ) VI ყრილობაზე ცკ-ის დავალებით გამოვიდა ცკ-ის პოლიტ. ანგარიშით და მოხსენებით პოლიტ. მდგომარეობის შესახებ.

როგორც ცკ-ის წევრი, ს. აქტიურად მონაწილეობდა 1917 დიდი ოქტ. სოციალ. რევ. მომზადებასა და გატარებაში. შედიოდა ცკ-ის პოლიტბიუროს შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვ. პარტ. ორგანოს — სამხ.-რევ. ცენტრის პეტროგრ. სამხ. რევკომის შემადგენლობაში. სრულიად რუს. საბჭოების II ყრილობაზე, 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.), აირჩიეს პირველი საბჭ. მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახკომად (1917—23). ერთდროულად, 1919—22, ხელმძღვანელობდა სახელმწ. კონტროლის სახ. კომისარიატს, რ-იც 1920 გადაკეთდა მუშათა და გლეხთა ინსპექციად.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხ. ინტერვენციის პერიოდში (1918—20) ს. ასრულებდა რკპ (ბ) ცკ-ისა და საბჭ. მთავრობის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს: იყო რესპ. სამხ. რევკომის წევრი, პეტროგრ. დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხრეთის, დასავლეთის, სამხრ.-დას. ფრონტების სამხ. საბჭოს წევრი, სრულიად რუს. ცაკის წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოში. ს-მა თავი გამოიჩინა, როგორც პარტიის ერთგულმა სამხ.-პოლიტ. მოღვაწემ. სრულიად რუს. ცაკის დადგენილებით, 1919 წ. 27 ნოემბ. ს. წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვეს.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ს. აქტიურად მონაწილეობდა პარტიის ბრძოლაში სახ. მეურნ. აღდგენის, ახ. ეკონ. პოლიტიკის განხორციელებისა და გლეხობასთან მუშათა კავშირის განმტკიცებისათვის. პროფკავშირების დისკუსიის დროს (იხ. *დისკუსია პროფკავშირების შესახებ*), რ-იც ტროცკიმ თავს მოახვია პარტიას, ს. იცავდა სოციალ. მშენებლობაში პროფკავშირების როლის ლენინურ პლატფორმას. რკპ (ბ) X ყრილობაზე (1921) გამოვიდა მოხსენებით „პარტიის მორიგი ამოცანები ეროვნულ საკითხში“. 1922 აპრილში ცკ-ის პლენუმზე ს. აირჩიეს ცკ-ის გენ. მდივნად და ამ პოსტზე იმყოფებოდა 30 წელზე მეტხანს.



ი. სტალინი.

როგორც სახელმწ.-ეროვნ. მშენებლობის დარგში ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა, ს-მა მონაწილეობა მიიღო სსრკ-ის შექმნაში. მაგრამ ამ ახ. და რთული ამოცანის პირველად გადაწყვეტაში დაუშვა შეცდომა — წამოაყენა „ავტონომიზაციის“ პროექტი (რფსრ-ში ყველა რესპ. შესვლა ავტონომიის საფუძველზე). ეს პროექტი გააკრიტიკა ვ. ი. ლენინმა და დაასაბუთა ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს თანაბარუფლებიანი რესპუბლიკების კავშირის შექმნის გეგმა. ს-მა გაითვალისწინა კრიტიკა, მთლიანად დაუჭირა მხარი ვ. ი. ლენინის იდეას და რკპ (ბ) ცკ-ის დავალებით საბჭოების I სრულიად საკავშ. ყრილობაზე (1922 დეკ.) გამოვიდა მოხსენებით სსრ კავშირის შექმნის შესახებ.

პარტიის XII ყრილობაზე (1923) ს. გამოვიდა ცკ-ის მუშაობის შესახებ ორგანიზაციული ანგარიშით და მოხსენებით „ეროვნული მომენტები პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში“.

ვ. ი. ლენინი შესანიშნავად იცნობდა პარტ. კადრებს, დიდ ზეგავლენას ახდენდა მათ აღზრდაზე, კადრებს ანაწილებდა საერთო პარტ. საქმეების ინტერესების შესაბამისად, მათი ინდივიდ. ნიშნების გათვალისწინებით. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება ლენინის „წერილი ყრილობისადმი“, რ-შიც დახასიათებული არიან ცკ-ის მთელი რიგი წევრები, მ. შ. ს., რ-იც ლენინს პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწედ მიაჩნდა. ამასთანავე 1922 წ. 22 დეკ. იგი წერდა: „ამხ. სტალინმა, როცა ის გენერალური მდივანი გახდა, თავის ხელში მოაქცია განუზომელი ძალაუფლება, და მე დარწმუნებული არა ვარ, შეძლებს თუ არა ის ყოველთვის საკმაოდ ფრთხილად გამოიყენოს ეს ძალაუფლება“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 36, გვ. 675). თავისი წერილის დამატებაში 1923 წ. 4 იანვ. ვ. ი. ლენინი წერდა: „სტალინი ძალიან უხეშია, და ეს ნაკლი, რომელიც სავსებით ასატანია, ჩვენს, კომუნისტების, წრეში და ურთიერთობაში, აუტანელი ხდება გენერალური მდივნის თანამდებობაზე. ამიტომ მე წინადადებით მივმართავ ამხანაგებს, რომ მოიფიქრონ ამ ადგილიდან სტალინის სხვაგან გადაყვანის საშუალება და დანიშნონ ამ ადგილზე სხვა ადამიანი, რომელიც ყველა სხვა მხრივ განსხვავდება ამხ. სტალინისაგან მხოლოდ ერთი უპირატესობით, სახელდობრ უფრო ლმობიერია, უფრო ლოიალურია, უფრო თავაზიანი და უფრო ყურადღებიანია ამხანაგებისადმი, ნაკლებ ჭირვეულია და ა. შ.“ (იქვე, გვ. 677).

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ს. აქტიურად მონაწილეობდა სკკპ ცკ-ის პოლიტიკის, სამეურნეო და კულტ. მშენებლობის, გეგმების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საკითხთა შემუშავებასა და განხორციელებაში, პარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს საგარეო პოლიტ. კურსის გატარებაში. პარტიის სხვა ხელმძღვ. მოღვაწეებთან ერთად ს. შეურიგებლად ებრძოდა ლენინიზმის მოწინააღმდეგეებს, მან უდიდესი როლი შეასრულა ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის იდეურ-პოლიტ. განად-

გურებაში, სსრკ-ში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინური მოძღვრების დაცვაში, პარტიის ერთიანობის განმტკიცებაში. ლენინური იდეური მემკვიდრეობის პროპაგანდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ს-ის შრომებს: „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (1924), „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?“ (1924), „ლენინიზმის საკითხებისათვის“ .(1926), „ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“ (1926), „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკ. კპ (ბ)-ში“ (1929), „აგრარული პოლიტიკის საკითხებზე სსრკ-ში“ (1929) და სხვ.

საბჭ. ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა, ჩაატარა თავისი სირთულითა და მსოფლიო-ისტ. მნიშვნელობით გიგანტური რევ. გარდაქმნები. ამ ამოცანების გადაწყვეტაში პარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებთან ერთად თავისი პირადი წვლილი შეიტანა ი. სტალინმა.

სოციალიზმის მშენებლობის ქვაკუთხედად გადაიქცა სოციალ. ინდუსტრიალიზაცია, რ-იც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონ. დამოუკიდებლობას, სახ. მეურნ. ყველა დარგის ტექ. რეკონსტრუქციას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. რევ. გარდაქმნების ყველაზე რთული და მძიმე ამოცანა იყო სოფ. მეურნ. გარდაქმნა სოციალ. საფუძველზე. სოფ. მეურნ. გარდაქმნაში დაშვებულ იქნა შეცდომები და გადახრები, რისთვისაც პასუხისმგებლობა ს-საც ეკისრება, მაგრამ პარტიამ ს-ის მონაწილეობით გადამწყვეტი ზომები მიიღო და ეს შეცდომები დაძლია.

სსრკ-ში სოციალიზმის გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტ. რევ. განხორციელებას, რ-შიც დიდი როლი ითამაშა ს-მა. მოახლოებული ომის საშიშროებისა და დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ს. ხელმძღვანელობდა პარტიის მრავალმხრივ მოღვაწეობას სსრკ თავდაცვის განმტკიცებასა და ფაშისტური გერმ. და მილიტარისტული იაპ. განადგურების ორგანიზებაში. 1941 წ. 6 მაისს ს. დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავ-რედ (1946-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რე), 1941 წ. 30 ივნ. — თავდაცვის სახელმწ. კომიტეტის თავ-რედ, 19 ივლ. — სსრკ თავდაცვის სახკომად, 8 აგვ. — სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. როგორც საბჭ. სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა 3 სახელმწიფოს — სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტ. თეირანის (1943), ყირიმისა (1945) და პოტსდამის (1945) კონფერენციებში. ომის შემდგომ პერიოდში ს. განაგრძობდა მუშაობას პარტიის ცკ-ის გენ. მდივნად და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რედ. ამ წლებში პარტიამ და საბჭ. მთავრობამ დიდი მუშაობა ჩაატარეს საბჭ. ხალხის მობილიზების, სახ. მეურნ. აღდგენისა და შემდგომი განვითარების,



სტამბოლი. ყარაქოის მოედანი.

სსრკ საერთაშ. პოლიტ. კურსის განხორციელების, მსოფლიო სოციალ. სისტემის განმტკიცების, მუშათა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების, კოლონ. და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათ. ბრძოლების მხარდაჭერის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის მთელს მსოფლიოში.

ს-ის მოღვაწეობაში დადებით მხარეებთან ერთად ადგილი ჰქონდა თეორ. და პოლიტ. შეცდომებს, უარყოფითად გამომჟღავნდა ზოგიერთი მისი პიროვნული თვისება. თუ ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ მუშაობის პირველ წლებში ს. ანგარიშს უწევდა მის მიმართ გამოთქმულ კრიტ. შენიშვნებს, შემდგომში დაიწყო კოლექტ. ხელმძღვანელობისა და პარტ. ცხოვრების ნორმების ლენინური პრინციპებიდან გადახვევა, პარტიისა და ხალხის წარმატებებში საკუთარი დამსახურების გაზვიადება. თანდათანობით ჩამოყალიბდა ს-ის პიროვნების კულტი, რ-მაც გამოიწვია სოციალ. კანონიერების უხეში დარღვევები, სერიოზული ზიანი მიაყენა პარტიის მოღვაწეობას, კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

სკკპ XX ყრილობამ გააკრიტიკა პიროვნების კულტი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, სოციალ. საზ. წყობის ბუნებისათვის უცხო მოვლენა. სკკპ ცკ-ის 1956 წ. 30 ივნ. დადგენილებაში „პიროვნების კულტისა და მის შედეგების დაძლევის შესახებ“ პარტიამ მოგვცა ს-ის მოღვაწეობის ობიექტური შეფასება, პიროვნების კულტის ფართო კრიტიკა. ს-ის პიროვნების კულტს არ შეუცვლია და ვერც შეცვლიდა საბჭ. წყობილების სოციალ. არსი, სკკპ მარქსისტულ-ლენინური ხასიათი და მისი ლენინური კურსი, საზ-ბის განვითარების კანონზომიერი სვლა. პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა ღონისძიებათა სისტემა, რ-ებმაც უზრუნველყვეს პარტ. ცხოვრებისა და პარტ. ხელმძღვანელობის პრინციპების ლენინური ნორმების აღდგენა და შემდგომი განვითარება.

ს. იყო საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი (1919—52), სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი (1952—53), კომინტერნის აღმასკომის წევრი (1925—43), სრულიად რუს. ცაკის წევრი 1917-იდან, სსრკ ცაკისა — 1922-იდან, სსრკ I—III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მინიჭებული ჰქონდა სოციალ. შრომის გმირის (1939), საბჭ. კავშირის გმირის (1945), საბჭ. კავშირის მარშლის (1943) წოდებები, უმაღლესი სამხ. წოდება — საბჭ. კავშირის გენერალისიმუსის წოდება (1945). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, „გამარჯვების“ 2 ორდენით, 3 წითელი დროშის ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, აგრეთვე მედლებით. დაკრძალულია მოსკოვში წითელ მოედანზე.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1—13, თბ., 1947—52; ლენინიზმის საკითხები, თარგმ. მე-11 რუსული გამოცემიდან, თბ., 1951; მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1954; მარქსიზმი და ეროვნული საკითხი, თბ., 1955; საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გამოც. მე-5, თბ., 1955; სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1953.

ლიტ.: პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ. სკკპ ცკ დადგენილება. 1956 წ. 30 ივნისი, თბ., 1956; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973; XX съезд КПСС. Стенографич. отчет, т. 1—2, М., 1956; История КПСС, т. 1—5, М., 1964—70.

სტალინი (Stalin), ყოფ. კუჩოვა (Kucova), ქალაქი ალბანეთში, ბერატის რეთში. 14 ათ. მცხ. (1978). ქვეყნის ნავთობსარეწი ცენტრი. ნავთობსადენით უკავშირდება ნავსადგურ ელორას. ნავთობგადამუშავება.

სტალინირი, სამხრ. ოსეთის აო ცენტრის ქ. *ცხინვალის* სახელწოდება 1934—61.

სტალინისუბანი (ყოფ. განახლება), სოფელი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში (ციხისძირის სოფსაბჭო), შავი ზღვის სანაპიროზე. ზ. დ. 5 *მ*, ქობულეთიდან 3 *კმ*. ციხისძირის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

სტალინო, იხ. *დონეცკი.*

სტამატოვი გეორგი პორფირიევ (25. V. 1869, ტირასპოლი, ახლანდ. მოლდ. სსრ, — 9. XI. 1942, სოფია), ბულგარელი მწერალი. ბავშვობა ოდესაში გაატარა. 1882-იდან ბულგარეთში ცხოვრობდა. სოფიასა და ჟენევაში სწავლობდა იურის-პრუდენციას. მუშაობდა მოხელედ. 1891-იდან აქვეყნებდა მოთხრობებს. პირველი წიგნი „რჩეული ნარკვევები და მოთხრობები“ 1905 გამოსცა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ს-ის შემოქმედებაში გაძლიერდა სოც.-მამხილებელი კრიტიკა (მოთხრ. „პატარა სოდომი“ და სხვ.). ავტორია კრებულისა „მოთხრობები“ (ტ. 1—2, 1929—30) და სხვ.

სტამბა, პოლიგრაფიული საწარმო, რ-იც უშვებს ნაბეჭდ პროდუქციას ძირითადად მაღალი ბეჭდვის ხერხით. ს-ს ხშირად უწოდებენ აგრეთვე პოლიგრ. საწარმოს, სადაც იყენებენ ოფსეტური და ღრმა ბეჭდვის ხერხებს. ხელნაწერებისა და ილუსტრაციების აღწარმოების ტექნოლ. პროცესი ს-ში მოიცავს 3 ეტაპს: *საბეჭდი ფორმების* დამზადებას, საბეჭდ მანქანებზე *ტირაჟის* ბეჭდვისა და აკინძვის, აკინძვა-ყდაში ჩასმისა და გამოსაყვან სამუშაოებს (გამოცემის სახეობის მიხედვით). ამის შესაბამისად, ს-ში არის როგორც ძირითადი წარმოების საამქროები (საფორმო-საამწყობო, ფოტოცინკოგრაფიის, სტერეოტიპებისა და ა. შ.; საბეჭდი და საამკინძაო-ყდაში ჩასმის საამქროები), ისე დამხმარე სამსახური (სარემონტო-მექან. საამქროები, სასაწყობო მეურნეობა, ლაბორატორიები და სხვ.). ყოველ საამქროში შედის განყ-ბები და უბნები, სადაც ასრულებენ საწარმოო პროცესის გარკვეულ ოპერაციებს. სიმძლავრის მიხედვით ს. არის მსხვილი, საშ. და წერილი. სსრკ-ში განასხვავებენ საკავშ., რესპ., სამხარეო, საოლქო, სარაიონთაშორისო და სარაიონო ს-ებს. ყველაზე მძლავრია საკავშ. მნიშვნელობის ს., რ-იც უშვებს 1—2 სახის გამოცემას (მაგ., წიგნებს, წიგნებსა და ბროშურებს, ცენტრ. გაზეთებსა და ჟურნალებს და ა. შ). რესპ. ს-ს მასთან შედარებით უფრო ნაკლები მოცულობის წარმოება აქვს. სამხარეო და საოლქო ს-ები უფრო უნივერსალურია, ვიდრე რესპ. ს. (იბეჭდება ძირითადად ადგილ. გამომცემლობებისა და ორგანიზაციების პროდუქცია: სამხარეო და საოლქო გაზეთები, წიგნები და სხვ.). ზოგიერთი მათგანი ღებულობს მატრიცებს (იხ. *სტერეოტიპია*) ან კავშირგაბმ. ხაზით მიღებული გამოსახულების საფუძველზე ამზადებს საბეჭდ ფორმას და ბეჭდავს ცენტრ. გაზეთებს. სარაიონთაშორისო და სარაიონო ს-ები მცირე ტირაჟით უშვებენ სარაიონო გაზეთებს, ბლანკებს და სხვა პროდუქციას რ-ნის საჭიროებისათვის. მსხვილ ს-ს, რ-იც იყენებს ბეჭდვის 2 ან 3 სახეობას, ეწოდება პოლიგრ. კომბინატი, ხოლო საწარმოს, სადაც უმეტესად ოფსეტური ან ღრმა ბეჭდვის ხერხს იყენებენ, ფ-კას უწოდებენ. მსხვილი ს-ების ბაზებზე იქმნება პოლიგრ საწარმოო-ტექ. გაერთიანება. საბჭ. ს-ების უმრავლესობა ექვემდებარება სსრკ მინისტრთა საბჭოს და ცალკეული რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრ. და წიგნის ვაჭრობის სახელმწ. კომიტეტებს.

სტამბოლი (Istanbul), თურქეთის უდიდესი ქალაქი, მნიშვნელოვანი საზღვ. ნავსადგური, დიდი სამრეწვ.-სავაჭრო და კულტ. ცენტრი. სტამბოლის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. გაშენებულია ბორცვიან

ადგილას ბოსფორის სრუტის ორივე ნაპირზე, მარმარილოს ზღვასთან. ს-ის დიდი ნაწილი ევროპაშია, მცირე ნაწილი – აზიაში. ქალაქის ზრდას ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამ მნიშვნელოვანი საზღვ. და სახმელეთო გზების გზაჯვარედინზე. ჰავა სუბტროპ., ხმელთაშუა ზღვისა. იანვ. საშ. ტემპ-რა 5,2°C, აგვ. 23,6°C. ნალექები 630 *მმ* წელიწადში. 2,9 მლნ. მკხ. (1980).

ქალაქს მართავს მუნიციპალიტეტი, რ-საც ირჩევენ 4 წლის ვადით. ს-ის ისტორია 1453-მდე — ოსმ. დაპყრობამდე იხ. ატატიაში *კონსტანტინოპოლი*. 1453-იდან 1923 წ. 13 ოქტ-მდე ს. ოსმ. დედაქალაქი იყო. ოსმ. იმპერიის დაცემის პერიოდში (XVII ს. დასასრ.) ს. ევრ. სახელმწიფოების ბრძოლის ობიექტი გახდა. ეს პრობლემა ე. წ. *აღმოსავლეთის საკითხის* ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. XX ს. დასაწყისში აქ ჩაისახა თურქ. მუშათა პირველი ორგანიზაციები. 1918 დასასრ. შეიქმნა კომუნისტური ჯგუფი. 1918—22, თურქი ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლის პერიოდში, განსაკუთრებით ანტანტის ჯარების მიერ ს-ის ოკუპაციის შემდეგ (1920 წ. 16 მარტი), ს. რეაქციის (სულთნისა და მისი მომხრეების) დასაყრდენი გახდა. 1923 წ. 6 ოქტ. ს-ში თურქ. ეროვნ. მთავრობის ჯარი შევიდა. 1923 ოქტ. თურქ. დედაქალაქი ს-იდან ანკარაში გადაიტანეს.

ს-სა და მის გარეუბნებში განლაგებულია ქვეყნის სამრეწვ. საწარმოთა დიდი ნაწილი (2,2 ათ-ზე მეტი საწარმო). განჯითარებულია კვების (საფქვავი, ხორცრძის, საკონდიტრო, ღვინო-არაყის, თამბაქოს), საფეიქრო, სამკერვალო, ტყავგეხსაცმლის, პოლიგრ., ქიმ., ცემენტის, მანქანათსაშ. (მ. შ. გემთსაშენი, ელექტროტექ., საამწყობო ქ-ნები), ხის დასამუშ. მრეწველობა. ს. დიდი სატრანსპ. კვანძია. მასზე გადის რკინიგზის მაგისტრალი, რ-იც ცენტრ. ევროპას აკავშირებს თურქეთთან, სირიასა და ერაყთან. ს-ის ნავსადგურის ტვირთბრუნვაა დაახლ. 6,5 მლნ. ტ წელიწადში. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. ს-ში არის ქვეყნის მთავარი ბანკები, უცხოეთის სადაზღვევო საზ-ბები და სააგენტოები.

ოქროს რქის ყურე ქალაქის ევრ. ზონას ორ ნაწილად ყოფს: ემინონიუ (ძვ. ქალაქი) და ბეიოღლუ (ახ. ქალაქი). აზიის კონტინენტზე მდებარეობს ქალაქის მესამე ნაწილი — უსქუდარი. ქალაქის აზიური და ევრ. ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულია ბორნებითა და ხიდებით, მ. შ. ყველაზე გრძელი ხიდი (1560 *მ*) ბოსფორზე აშენდა 1970—73. ქალაქის ხუროთმოძღვრული სახე განსაზღვრულია 3 ეპოქის ნაგებობებით. ბიზანტ. ხანიდან შემონახულია ციხე-სიმაგრის კედლების, იმპერატორის სასახლისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები, ქრისტ. ხანის საკულტო ნაგებობანი, რ-ებიც თურქებმა მეჩეთებად გადააკეთეს (*სოფიოს ტაძარი* და სხვ.). თურქ. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ციხესიმაგრეები (XIV—XV სს.), მეჩეთები (XV—XVII სს.), საცხოვრ. სახლები. XVIII ს-იდან გრცელდება დას. ევროპული არქიტ. სტილის ნაგებობანი. XIX ს-ში შენდება ეკლექტიკური ნაგებობანი, XX ს-ში — ფუნქციონალისტური. 1950-იანი წლებიდან დაიწყო ქალაქის რეკონსტრუქცია. შენდება თანამედროვე არქიტ. სტილის ადმ. და საზ. შენობები, საცხოვრ. სახლები. ს-ში არის 3 უნ-ტი, ეკონ. და ვაჭრობის სტამბოლის აკადემია, უმაღლესი ტექ. სკოლა, ნატიფი ხელოვნ. აკადემია, კონსერვატორია და სხვ., სამეცნ. საზ-ბები, ბ-კები, მუზეუმები.

სტამბოლიისკი ალექსანდრ სტოიმენოვ (1. III. 1879, სლავოვიცა, პაზარჯიკის ოლქი, — 14. VI. 1923, იქვე), ბულგარეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ბულგ. სახ. სამიწათმოქმედო კავშირის (ბსსკ) ერთ-ერთი ლიდერი. 1908-იდან სახ. კრების, 1911-იდან დიდი სახ. კრების დეპუტატი. მონაწილეობდა *ბალკანეთის ომებში* (1918). 1919—20, 1920—23 მთავრობის მეთაური. მისმა მთავრობამ 1920—22 გაატარა აგრ. და ზოგიერთი სხვა დემოკრ. რეფორმა. ცდილობდა საბჭოთა რუსეთთან დიპლ. ურთიერთობის დამყარებას. 1923 წ. 9 ივნ. ფაშისტ. გადატრიალების შედეგად ს-ს მთავრობა დაამხეს. ს. შეიპყრეს და მხეცურად მოკლეს.

სტამინოდიუმი (ლათ. stamen. ნათ. ბრ. staminis—ძაფი და ბერძნ. eidos—სახე, სახეობა), ყვავილის სახეცვლილი მტვრიანა, რ-საც არა აქვს მტვრის მარცვლების წარმოქმნის უნარი. ს. ჩვეულებრივ ძაფის, ქერცლის, ბორცვის სახისაა და ან არავითარი ფუნქცია არა აქვს, ან გადაქცეულია გვირგვინის ფურცლის მსგავს წარმონაქმნებად (მაგ., კანასებრთა ოჯახის სახეობები), ანდა სანექტრეებად (მაგ., ზოგიერთი ბაიასებრი).

სტამიცი (Stamic, Stamitz) იან ვაცლავ ანტონინ (19. VI. 1717, ჰავლიჩკუვბროდი, — 27. III. 1757, მანჰაიმი), ჩეხი კომპოზიტორი, მევიოლინე, დირიჟორი. 1744-იდან მანჰაიმის კაპელის პირველი მევიოლინე, 1748-იდან კი ხელმძღვანელი. როგორც ვირტუოზი შემსრულებელი გამოდიოდა გერმ. ქ-ებში, პარიზში. ე. წ. მანჰაიმის სკოლის ფუძემდებელი. ს-ის შემოქმედებაში აისახა განმანათლებელთა ეპოქის მხატვრული იდეალები. ს. 74 სიმფონიის, საორკესტრო ტრიოს, საკრაველიერი კონცერტების, სონატებისა და საკულტო თხზულებების ავტორია.

სტამო ევგენი ნიკოლოზის ძე [დ. 17 (30). VIII. 1912, კიევი], საბჭ. არქიტექტორი. რსფსრ დამს. არქიტექტორი (1969). სწავლობდა მოსკ. არქიტ. ინ-ტში (1932—36) ვ. სიმბირცევთან და ლ. რუდნევთან. ნამუშევრები (თანაავტორებთან ერთად): საცხოვრ. სახლი ჩაიკოვსკის ქუჩაზე (1952), კრემლის ყრილობათა სასახლე (1959—61; ლენინური პრემია, 1962), 19-სართულიანი საცხოვრ. სახლები ლენინის პროსპექტზე (№ 32—33 კვარტალები; 1965—1967), მიკრორაიონების დაგეგმარება და განაშენიანება (1965—69), კინოს ცენტრ. სახლი (1967) და სხვ. — ყველა მოსკოვში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სტანდარტი (ინგლ. standard — ნორმა, ნიმუში, საზომი), ფართო გაგებით — ეტალონი, ნიმუში, მოდელი, რ-იც წარმოადგენს საწყისს მასთან მისი მსგავსი ობიექტების შედარებისას. ს., როგორც ნორმატიულ-ტექ. დოკუმენტი, ადგენს ნორმების, წესების, მოთხოვნების კომპლექსს სტანდარტიზაციის ობიექტისათვის, რ-საც ამტკიცებს კომპეტენტური ორგანო. ადგენენ როგორც მატერიალური საგნების (პროდუქცია, ეტალონები, ნივთიერებათა ნიმუშები) ასევე ნორმების, წესების, სხვადასხვა ხასიათის მოთხოვნის ს-ებს. მოქმედების სფეროსა და დამუშავების დონის მიხედვით ს-ები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: სახელმწ. ს-ები („გოსტ“, ამტკიცებს ს-ების სახელმწ. კომიტეტი, გამონაკლისია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახის ს-ები, რ-ებსაც სს. კავშირის მინისტრთა საბჭო ამტკიცებს); დარგობრივი ს-ები (ოსტ, ამტკიცებს სამინისტროები და უწყებები); რესპ. ს-ები (რსტ, ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან მათი დავალებით საგეგმო კომიტეტები); საწარმოს ს-ები; (სტპ ამტკიცებს საწარმო ან საწარმოო გაერთიანება). საწარმოს ს. სავალდებულოა მხოლოდ იმ საწარმოსა და გაერთიანებისათვის, რ-მაც იგი დაამტკიცა.

სსრკ-ში 1975-იდან მოქმედებს აგრეთვე ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ს-ები, რ-ებიც აუცილებელია სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკების სახ. მეურნ. ყველა დარგის საკავშ., რესპ. და ადგილ. დაქვემდებარების ყველა საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის.

სსრკ-ში პირველი ს. დამტკიცდა 1926, რ-იც შეეხებოდა ხორბლის სასელექციო ჯიშებს. 1981-იდან მოქმედებს 20 ათ-ზე მეტი სახელმწ., 42 ათ. დარგობრივი და 9,2 ათ. რესპ. ს., ამასთან ერთად — 150 ათ-მდე ტექ. პირობა და 600-მდე ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ს.

საქართველოში პირველი რესპ. ს. დამუშავდა 1970 (კერამიკის ნაწარმის ს.). ამის შემდეგ სისტემატურად იზრდება რესპ. ს-ების რაოდენობა. აშკარად 360-ზე მეტი დასახელების ს-ია. რესპუბლიკაში პირველი ტექ. პირობა 1967 დამუშავდა. დღეისათვის მოქმედებს 570-ზე მეტი დასახელების პირობა.

ნ. გიორგობიანი.



ა. სტამბოლიისკი.

სტანდარტიზაცია, გარკვეული წესების დადგენა და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის, მეცნიერების ან სხვა რომელიმე დარგში საქმიანობის მოსაწესრიგებლად, კერძოდ, საყოველთაო ოპტიმალური ეკონომიის მისაღწევად (ექსპლუატაციის პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასთან ერთად) ყველა დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ და მონაწილეობით.

ს-ის მთავარი ამოცანები: ტექ. პროგრესის დაჩქარება; საზ. წარმოების ეფექტურობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლება; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; სახ. მეურნ. მართვის ორგანიზაციის სრულყოფა; საწარმოო ფონდების რაციონალური გამოყენება და მატერ.-შრომითი რესურსების ეკონომია; საერთაშ. ეკონ., ტექ. და კულტ. თანამშრომლობის განვითარება და ა. შ.; ს. იყენებს უნიფიკაციის, დააგრეგატების, შეზლუდვისა და ტიპიზაციის მეთოდებს. მისი ძირითადი პრინციპებია მრავალრგოლიანობა, მრავალსფეხურიანობა, კომპლექსურობა, პროგრ. პრაქტიკის განზოგადება და სხვ. იგი ორგვარია: წინმსწრები და კომპლექსური. ს-ის ობიექტებია კონკრ. პროდუქცია, ნორმები, მოთხოვნები, მეთოდები, ტერმინები, აღნიშვნები და მისთ., რ-ებსაც აქვთ მრავალგზისი გამოყენების პერსპექტივა მეცნიერებაში, ტექნიკაში, სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგში, აგრეთვე საერთაშ. ვაჭრობაში. განასხვავებენ საერთაშ., რეგიონალურსა და ეროვნ. ს-ს. **საერთაშორისო** ს. უზრუნველყოფს სახელმწიფოთა შორის სამეცნ., ტექ. და სავაჭრო ურთიერთკავშირის განმტკიცებას. მუშაობას საერთაშ. ს-ის დარგში ხელმძღვანელობს ს-ის საერთაშ. ორგანიზაცია (სსო; ISO), საერთაშ. ელექტროტექ. კომისია. **რეგიონალური** ს-ის ხლმძღვ. ორგანიზაციებია ს-ის ევრ. კომიტეტი, სტანდარტების პანამერ. კომიტეტი და სხვ. ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) ფარგლებში ს-ს ხელმძღვანელობს ეუს-ს მუდმივი კომისია ს-ის დარგში. მისი ერთ-ერთი ამოცანაა ეუს-ში შემავალი სოციალ. ქვეყნების ს-ის ეროვნ. სისტემების ურთიერთდაახლოება.



ე. სტამო და სხვები. საცხოვრებელი სახლები ლენინის პროსპექტზე. მოსკოვი. 1965—67.



კ. სტანისლავსკი.

სსრკ-ში ს-ის სისტემაში შედის საკავშ. და რესპ. ორგანოები და სამსახურები. ჩვენს ქვეყანაში ს-ს ხელმძღვანელობს სსრკ მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწ. კომიტეტი (სახსტანდარტი), რ-იც აერთიანებს სამეცნ.-კვლ. ინ-ტებს, ინფორმაციის სამსახურს, საკავშ. გაერთიანებას „ეტალონი", ტერიტ. ორგანოებს (რესპ. სამმართველოები, ს-ისა და მეტროლოგიის ცენტრები, სტანდარტებისა და საზომი ტექ. სახელმწ. ზედამხედველობის ლაბორატორიები) და სხვ. სსრკ-ში მოქმედებს 25 ათ-მდე სახელმწ. სტანდარტი; შემოღებულია სამრეწვ. პროდუქციის ატესტაცია (ხარისხის კატეგორიები — უმაღლესი, I და II), აგრეთვე პროდუქციისათვის სახელმწ. ხარისხის ნიშნის მინიჭება. ს-ის ეკონ. ეფექტურობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ როგორც ცალკეულ საწარმოს, ისე ამა თუ იმ დარგისა და მთელი სახ. მეურნ. ეკონ. მრავალ მხარეს. ს-ის ეკონ. ეფექტურობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები სამეცნ.-ტექ. პროგრესს, რამდენადაა კომპლექსურად ურთიერთდაკავშირებული ნედლეულის, მასალის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის თვისებები და ა. შ.

საქართველოში ს-სა და მეტროლოგიასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება დაიწყო 1906, როცა დ. *მენდელეევის* ინიციატივით თბილისში შეიქმნა სასწორებისა და საზომი ხელსაწყოების შესამოწმებელი „პალატკა", რ-იც ემსახურებოდა თბილ. და ქუთ. გუბერნიებს, ბათუმისა და სოხუმის ოკრუგებს, შემდგომ კი მთელ — ამიერკავკასიას. სსრკ სტანდარტების სახელმწ. კომიტეტის საქართვ. რესპ. სამმართველოს აქვს ტერიტ. ორგანოები მსხვილ სამრეწვ. ცენტრებში: აჭარის ასსრ-ში, აფხ. ასსრ-ში, სამხრ. ოსეთის აო-ში, ქუთაისში (სახელმწ. ზედამხედველობის ლაბორატორიები), გორში, რუსთავში, ფოთსა და თელავში (რაიონთაშორისი განყ-ბები).

ლიტ.: Государственная система стандартизации, М., 1980; Зедгинидзе И. Г., Основы стандартизации и контроля качества продукции, Тб., 1979. *ი. ზედგინიძე.*

სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, სსრკ მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შეიქმნა მოსკოვში 1965. სათავო სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-იც შეისწავლის *სტანდარტიზაციის*, პროდუქციის ხარისხის ამაღლების საპრობლემო საკითხებს, სამეცნ.-ტექ. დოკუმენტაციის ექსპერტიზის საკითხებს. ინ-ტს მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს დასაცავად საკანდიდატო დისერტაციები; გამოსცემს „შრომების" პერიოდულ კრებულებს.

სტანდარტული ეტალონი, იგივეა, რაც *სტანდარტული ნიმუში*.

სტანდარტული ნიმუში, ნივთიერება (მასალა), რ-საც აქვს ზუსტად ცნობილი და ოფიციალურად დადასტურებული სპეციფიკური სიდიდეები, რ-ებიც რაოდენობრივად ახასიათებენ ნივთიერების შედგენილობას, თვისებებს ან რომელიმე ტექ. პარამეტრს. ს. ნ. თავისი დანიშნულებით მეტროლოგიურ საშუალებებს განეკუთვნება. იგი მზადდება სპეც. ტექნოლოგიით. ატესტირებული სიდიდეების მნიშვნელობა ყოველი ტიპის ს. ნ-თვის დგინდება კვლევის მოცემული პროგრამის შედეგის მიხედვით. ს. ნ-ს ფართოდ იყენებენ ნივთიერებათა რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრის შედეგების სიზუსტის საკონტროლოდ და ამგვარი ოპერაციების შესასრულებელი საზომი ხელსაწყოების გრადუირებისათვის. ს. ნ-ის გამოყენების ძირითადი სფეროებია: მინერ. ნედლეულის დაზვერვა, მოპოვება და გადამუშავება, ლითონების, შენადნობების, საწვავ-საპოხი მასალების წარმოება და მოხმარება, ჯანმრთელობის დაცვა.

სტანევი ემილიან (ნამდვ. სახელია ნიკოლა სტოიანოვი) (დ. 14. II. 1907, ველიკო-ტირნოვო), ბულგარელი მწერალი. სოციალ. შრომის გმირი (1967), ბულგ. კულტურის სახ. მოღვაწე (1966). ბულგ. კომპარტიის წევრი 1944-დან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1931-იდან. ს-ის მოთხრ. კრებულებია „მეოცნებე" (1939), „სამუშაო დღეები და დღესასწაულები" (1945) და სხვ. აღიარება მოუტანა ანიმალისტურმა მოთხრობებმა: კრებ. „მარტონი" (1940), „უკანასკნელი ბრძოლა" (1942) და სხვ. მნიშვნელოვანია რომანი „ივან კონდარევი" (წგნ. 1—2, 1958—64; დიმიტროვის პრემია, 1965). ს. ავტორია საყმაწვილო და საბავშვო წიგნებისა.

სტანინი (<ლათ. Stannum — კალა), სულფიდების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა Cu_2FeSnS_4. მინარევებია: Sb, Cd, Pb, Zn და Ag. მაღალტემპ-რული ს. კრისტალდება კუბურ სინგონიაში, დაბალტემპ-რული — ტეტრაგონურში. გვხდება მკვრივი მასებისა და დაწახნაგებული მარცვლების სახით. ფოლადისებრ-ნაცრისფერია, დაპკრავს მომწვანო ელფერი. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3—4,5; სიმკვრივე 4300—4500 *კგ/მ*^{3}. წარმოიქმნება ჰიდროთერმულ საბადოებში, უფრო იშვიათად — პეგმატიტებსა და გრაიზენებში. კალის ერთ-ერთი მადანია.

სტანისლავ I ლეშჩინსკი (Leszczynski) (20. X. 1677, ლვოვი,—23. II. 1766, ლუნევილი, საფრანგეთი), პოლონეთის მეფე 1704—11, 1733—34. პოლონელი დიდაზნაური, პოზნანის ვოევოდა. პოლ. მეფედ აირჩიეს შვეციის ზეგავლენით [შვეციის მეფის კარლ XII-ის პოლონეთში შეჭრის (1702) შემდეგ], მაგრამ შლიახტის უმრავლესობამ მეფედ არ ცნო. 1709 პოლტავასთან შვედების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ჯერ პრუსიაში, შემდეგ საფრანგეთში. 1725 თავისი ქალიშვილი მიათხოვა საფრ. მეფეს ლუი XV-ს. 1733 საფრ. დახმარებით კვლავ აიყვანეს პოლ. ტახტზე. *პოლონური მემკვიდრეობისათვის* ომის (1733—35) დროს გააძევეს პოლონეთიდან. ვენის ზავით (1738) უარი თქვა თავის პრეტენზიებზე და მემკვიდრეობით სამფლობელოდ მიიღო ლოთარინგია.

სტანისლავსკი (ნამდვ. გვარი ალექსეევი) კონსტანტინე სერგეის ძე [5 (17). I. 1863, მოსკოვი, — 7. VIII. 1938, იქვე], რუსი საბჭოთა მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი, თეატრ. მოღვაწე, თეორეტიკოსი, სსრკ სახ. არტისტი (1936). სახუმბერეი ჩაუყარა თეატრ. ხელოვნების შემსწავლელ თანამედროვე მეცნიერებას, შექმნა სკოლა, მიმდინარეობა, რ-იც ახ. ეტაპს წარმოადგენდა მსოფლიო თეატრ. ხელოვნ. ისტორიაში.

ს. დაიბადა და აღიზარდა მდიდარ ბურჟ. ოჯახში. 1887 პირველად გამოვიდა საოჯახო თეატრის სცენაზე. 1888 რეჟ. ა. ფედოტოვთან და ფ. კომისარჟევსკისთან ერთად ჩამოაყალიბა ხელოვნ. და ლიტ. საზ-ბა, სადაც წარმატებით მოღვაწეობდა როგორც მსახიობი და რეჟისორი.

1898 ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად დააარსა მოსკოვის სამხატვრო თეატრი (*მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი მ. გორკის სახელობისა*). ამ თეატრთანაა დაკავშირებული ს-ის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. თეატრის მხატვრულ-ესთეტ. კრედოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩეხოვის ნოვატორულმა დრამატურგიამ; იდეური, საზ.-პოლიტ. მიმართულება განსაზღვრა გორკის ნაწარმოებებმა.

ს. იყო ფართო დიაპაზონის მსახიობი. მომხიბვლელობით, რაფინირებული ელეგანტურობით გამოირჩეოდა მისი რაკიტინი (ტურგენევის „ერთი თვე სოფლად"). ბურჟ. საზ-ბის ეგოისტური ინტერესებისა და ყალბი მორალის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით იყო გამსჭვალული დოქტორი შტოკმანი (იბსენის „დოქტორი შტოკმანი"), გორკისეული რომანტიზმი, მასშტაბურობა ახასიათებდა სატინს (გორკის „ფსკერზე"), ლირიზმით, ჰუმანურობით გამოირჩეოდნენ ჩეხოვის გმირები: ასტროვი („ძია ვანია"), ვერშინინი („სამი და"). სატირული ნიჭი გამოავლინა ფამუსოვის (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), კრუტიცკის (ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება") და სხვ. როლებში.

ს-ს მიერ ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად დადგმული ნოვატორული სპექტაკლები გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო კულტურით, დახვეწილი რეალიზმით, დიდი იდეურ-ესთეტ. ღირებულებით: ჩეხოვის „თოლია" (1898), „ძია ვანია" (1899), „სამი და" (1901), „ალუბლის ბაღი" (1904); გორკის „მეშჩანები" და „ფსკერზე" (ორივე 1902) და სხვ.

საბჭ. პერიოდში ს-ს მიერ დადგმული სპექტაკლებისათვის დამახასიათებელია ღრმა იდეურობა, დახვეწილი რეჟისურა, სოც.-პოლიტ. სიმძაფრე: ოსტროვსკის „მზურავალე გული" (1926), ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება" (1927). საბჭ. თეატრის ისტორიაში საეტაპო სპექტაკლად იქცა ს-ის ხელმძღვანელობით დადგმული ივანოვის „ჯავშნოსანი მატარებელი 14-69" (1927, რეჟ. ი. სუდაკოვი).

1900-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე ს. ქმნიდა მოძღვრებას მსახიობის ტექნიკისა და პიესაზე მუშაობის შესახებ (იხ. *სტანისლავსკის სისტემა*).

ს. ცდილობდა რეფორმა მოეხდინა საოპერო თეატრშიც. 1918 სათავეში ჩაუდგა მოსკ. დიდი თეატრის საოპერო სტუდიას (ახლა მოსკოვის მუს. თეატრი კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობისა). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. მოსკოვში ს-ს სახლში გაიხსნა მუზეუმი (1948).

თხზ.: Собр. соч., т. 1—8, М., 1954—61; მსახიობის მუშაობა თავის თაობე, თბ., 1949; ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში, თბ., 1972.

ლიტ.: გურაბანიძე ნ., სტანისლავსკი, თბ., 1963; Виноградская И. Н., Жизнь и творчество К. С. Станиславского. Летопись в 4-х томах. 1863—1938, т. 1—4, М., 1971—76. *ლ. ცაგარეიშვილი.*

სტანისლავსკის სისტემა, კ. *სტანისლავსკის* მიერ შემუშავებული სცენური შემოქმედების თეორიისა და მეთოდოლოგიის პირობითი სახელწოდება. მასში თეატრ. ხელოვნ. ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა მსახიობის ქვეცნობიერი შემოქმედებითი პროცესების გაცნობიერებისა და შესწავლის ხერხები.

ს. ს. თვით კ. სტანისლავსკის, აგრეთვე მის წინამორბედთა და თანამედროვე თეატრ. მოღვაწეთა გამოცდილების საფუძველზე აღმოცენდა და მთელი ეპოქა შექმნა სცენური რეალიზმის ისტორიაში. იგი ჩამოყალიბდა და დაიხვეწა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ დაარსებულ მოსკ. სამხატვრო თეატრში (*მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი მ. გორკის სახელობისა*).

ს. ს. სცენურ ხელოვნებაში იმ რეალისტური მიმართულების თეორ. გამოხატულებაა, რ-საც სტანისლავსკიმ განსცდილ ხელოვნება უწოდა და რ-იც მსახიობისაგან მოითხოვს არა განცდის იმიტაციას, არა ერთხელ დადგენილი მხატვრული ხერხების ფორმალურ გამეორებას, არამედ ჭეშმარიტ განცდას სცენაზე შემოქმედების მომენტში, ყოველ სპექტაკლში.

ს. ს-ის მიხედვით, მსახიობმა და რეჟისორმა უნდა დაადგინოს ნაწარმოების ძირითადი მოტივი (ე. წ. „მარცვალი").

დასახოს იდეურ-შემოქმედებითი მიზანი ნუ ზეამოცანა, განსაზღვროს ზეამოცანის გამოვლენისათვის საჭირო მოქმედება, ე. წ. გამჭოლი მოქმედება. მოძღვრება ზეამოცანისა და გამჭოლი მოქმედების შესახებ შეადგენს ს. ს-ის საფუძველს.

მსახიობის შემოქმედება ესაა მსახიობის გამიზნული მოქმედება ავტორის მიერ მოცემულ გარემოში. სცენური მოქმედება ფსიქოფიზ. პროცესია. სსში მონაწილეობს მსახიობის გონება, ებისყოფა, გრძნობა, მისი შინაგანი და გარეგანი არტისტული მონაცემები; ურადღება, წარმოსახვის, პარტნიორთან ურთიერთობის უნარი, სიმართლის, იტმის გრძნობა, ემოციურობა, მეყველების ტექნიკა, პლასტიკა და სხვ. წ. შემოქმედებითი ელემენტები. მათ დახვეწასა და განვითარებას ისახავს მიზნად ს. ს-ის პირველი ნაწილი, რ-საც ეწოდება „მსახიობის უშაობა თავის თავზე" და რ-იც ეხმარება სახიობს სცენაზე ჭეშმარიტი შემოქმედებითი განწყობილების ექმნაში. მეორე ნაწილია „მსახიობის უშაობა როლზე", რ-ის საბოლოო მიზანია მსახიობის სრული გარდასახვა მხატრულ სახედ.

30-იან წლებში სტანისლავსკიმ აღიარა, რომ მოქმედების ფიზ. ბუნებას უდიესი მნიშვნელობა აქვს როლის შინაგანი რსის შეცნობისათვის. მის მიერ სიცოცხის ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ ამ ეთოდს პირობითად ფიზიკური ოქმედების მეთოდი ეწოდა.

სტანისლავსკი განსაკუთრებულ ყუადღებას უთმობდა მსახიობის სიტყვიერი ოქმედების პრობლემას, ავტორისეული ექსტის ათვისებას. მისი აზრით, იმისავის რომ სიტყვა ზემოქმედების მძლავრ არაღად იქცეს, მსახიობმა ავტორის ექსტს მხოლოდ მას შემდეგ უნდა მიართოს, როდესაც განამტკიცებს ფიზ. ოქმედებათა ლოგიკას, რ-იც წინ უსწრებს და განაპირობებს სწორედ ამ სიტყების, ამ ტექსტის წარმოთქმას. ვიდრე სახიობი დაიზეპირებდეს და წარმოთქამდეს ავტორის ტექსტს, მას უნდა გაუჩნდეს სწორედ ამ სიტყვის წარმოთქმის სურლი, შეიცნოს ტექსტის წარმოშობის ზეზები, შეითვისოს პერსონაჟის მოქმეების და აზრთა ლოგიკა.

ს. ს. საბჭ. თეატრის პრაქტ. მუშაობს, მსახიობთა აღზრდის აღიარებულ ეთოდად იქცა.

სტანისლავსკის თეატრ. იდეებმა, მისი ესთეტიკამ და მეთოდოლოგიამ ფართო აღიარება და გავრცელება პოვა მთელ ოფლიოში.

ლიტ.: Станиславский К. С., Работа актера над собой. Работа актера над ролью, Собр. соч., т. 2—4, М., 1954—; Горчаков Н., Режиссёрские уроки К. С. Станиславского, 3 изд., М., 1952; опорков В., К. С. Станиславский и репетиции, М.—Л., 1949.

ლ. ცაგარეიშვილი.

სტანიუკოვიჩი კონსტანტინე მიხეილის [18 (30). III. 1843, სევასტოპოლი,— (20). V. 1903, ნეაპოლი], რუსი მწეალი. ადმირალის შვილი. სწავლობდა ტერ... საზღვ. კადეტთა კორპუსში 857—60). ნარკვევთა პირველი წიგნი ვდამიწის გარშემო ნაოსნობიდან" 867) ასახავს მეზღვაურთა ცხოვრებას. 64-იდან მიატოვა საზღვ. სამსახური. ორია რომანებისა „ჩიხში" (1873), ენი ზნე-ჩვეულებანი" (1879), „ორი " (1880), „მორევი" (1881), „პირვე ნაბიჯები" (1891), „ქურუმები" (1897), ზღვ. მოთხრობებისა (1886—1903) და ., რ-ებშიც გამოვლინდა ს-ის დემოკტიზმი და მოქალაქეობრივი გაბედულესაზღვაო მოთხრობებისთვის, რ-ებიც რგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. 1901 მიენიჭა ა. პუშკინის პრემია.

სტანიცა, 1. სსრკ-ში სოფლის ტიპის დასახლების სახელწოდება (ყოფ. კაზაკთა ოლქებში). 2. XVII—XVIII სს-ში კაზაკთა დასახლება რუსეთში, ხოლო XIX ს-იდან — ადმ.-ტერ. ერთეული. 3. XV—XVII სს-ში მცირე ცხენოსანთა რაზმი, რ-იც იგზავნებოდა სტეპებში ყირიმის თათრების ძირითად გზებზე განლაგებისა და მოქმედების სამეთვალყურეოდ. 4. XVI—XVIII სს-ში კაზაკთა ჯარების „ელჩობა", რ-იც იგზავნებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში.

სტანკე-დიმიტროვი, ქალაქი სამხრ.-დას. ბულგარეთში, რილის მთების ძირას, მდ. ჯერმანის ნაპირზე, კიუსტენდილის ოკრუგში. 43 ათ. მცხ. (1979). თამბაქოს დამუშავების ცენტრი. ფარმაცევტული, ხელსაწყოთსაშენი, ხილსაკონსერვო, სამკერვალო მრეწველობა. ქალაქის მახლობლად — ქვანახშირის მოპოვება და თესი „ბობოვ-დოლი".

სტანკევიჩი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე [27. IX (9. X). 1813, სოფ. უდერევკა, ოსტროგოჟსკის მაზრა, ვორონეჟის გუბ.,— 25. VI (7. VII). 1840, ნოვი-ლიგურე, იტალია], რუსი საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, პოეტი. 1834 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი, უნ-ტში სწავლისას განიცდიდა პროფ. მ. კაჩენოვსკის გავლენას, იზიარებდა ე. წ. „სკეპტიკური სკოლის" შეხედულებებს ისტორიოგრაფიაში. ს-მა მოსკ. უნ-ტში ჩამოაყალიბა ლიტ.-ფილოს. წრე. 1837 სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ. სწავლობდა ფ. შელინგის, ი. კანტისა და ი. ფიხტეს, ხოლო მოგვიანებით გ. ჰეგელისა და ლ. ფოიერბახის ფილოსოფიას. ფილოსოფია ს-ს მიაჩნდა ჭეშმარიტების შემეცნების საშუალებად, ისტ. პროგრესის მთავარ ძალას განათლებაში ხედავდა, ამიტომ ინტელიგენციის ძირითად ამოცანად თვლიდა განმანათლებელთა იდეების პროპაგანდას ლიტ-რასა და ხელოვნებაში. თავის ლექსებში ს. გამოხატავდა მოწინავე რუს. ინტელიგენციის მისწრაფებებს. მან გაუკაფა გზა პოეტ ა. კოლცოვს. დიდი გავლენა იქონია ბ. ბელინსკისა და ი. ტურგენევის შემოქმედებაზე. ს-ის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი.

თხზ.: Стихотворения. Трагедия. Проза, М., 1890; Переписка Н. В. Станкевича (1830—1840), М., 1914.

სტანკოვიჩი (Станковић) ბორისავ (22.III. 1876, ვრანე, — 22. X. 1927, ბელგრადი), სერბი მწერალი. ლიტ. მოღვაწეობა 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ავტორია მოთხრობათა კრებულებისა („ძველი სახარებიდან", 1899; „ღვთისნიერი ხალხი", „წარსული დროება", ორივე 1902) და დრამებისა („კოშტანა", 1902; „ტაშანა" 1927). ს-ის შემოქმედების ძირითადი პრობლემაა პიროვნებისა და საზ-ბის ურთიერთობა. სერბ. პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა აღიარებული სოც.-ფსიქოლ. რომანი „ცუდი სისხლი" (1910). მასვე ეკუთვნის მემუარები „ოკუპაციაში" (1929).

სტანკუ (Stancu) ზაჰარია (7. X. 1902, სალჩია, ტელეორმანის მაზრა, — 5. XII. 1974, ბუქარესტი), რუმინელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. რუმინ. სრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1954). რუმინ. სრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი 1955-იდან. რუმინ. კომპარტიის წევრი 1945-იდან, მისი ცკ-ის წევრი 1969-იდან. რსრ სახელმწ. საბჭოს წევრი 1969-იდან. ლექსების პირველი კრებ. „უბრალო სიმღერები" 1927 გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა მემარცხენე და დემოკრ. პრესაში. იყო ეროვნ. თეატრის დირექტორი. მწერალთა კავშირის თავ-რე (1966—74), ს-ს ეკუთვნის რომანები „ფეხშიშველი" (1948), „შეშლილი ტყე" (1963), „ბანაკი" (1968); ეპოპეა „მწარე ფესვები" (ტ. 1—5, 1958—59) და სხვ.

სტანოვოი, ქედების სისტემა აღმ. ციმბირში, მდ. ოლიოკმის შუაწელიდან მდ. უჩურის სათავეებამდე. სიგრძე დაახლ. 700 *კმ*, სიგანე 100—160 *კმ*, სიმაღლე 1500—2000 *მ*, მაქს. — 2412 *მ*. წარმოადგენს ჩრდ. ყინულოვანი ოკეანისა და წყნარი ოკეანის მდინარეთა აუზების წყალგამყოფს. აგებულია არქეული და პროტეროზოური კრისტ. ფიქლებითა და გნაისებით. ოქროს, იშვიათი ლითონების, რკინის მადნის საბადოები. დამახასიათებელია გუმბათისებრი და ბრტყელმწვერვალიანი ქედები, განიერი ხეობები. თხემურ ნაწილში გვხვდება მყინვარული კარები, ცირკები და ტროგები. ჰავა მკაცრია, კონტინენტური. იცის ცივი და ხანგრძლივი ზამთარი (ყინვები —30, —40°C). ზაფხულში ჰაერის საშ. დღეღამური ტემპ-რა 10°C ზევით დაახლ. 2 თვეა. ნალექები დაახლ. 500 *მმ* წელიწადში. კალთები შემოსილია ტაიგით (ლარიქსი), გვხვდება აიანის ნაძვის ტყე, 1200 *მ*-ზე მაღლა — ქონდარა ფიჭვი, თხემურ ნაწილში — მთის ტუნდრა, ხეობების ძირზე—მდელო და ტორფიანი ჭაობი.

სტანსი, სტანცა (ფრანგ. stance < იტალ. stanza, სიტყვასიტყვით —საცდგომი, ოთახი; შეჩერება), ოთხტაეპიანი სტროფებისაგან შედგენილი ლექსი; ს. საერთო თემით არის გამთლიანებული, მისი ყოველი სტროფი დასრულებულია როგორც შინაარსის (აზრის, სახის), ისე ფორმის მხრივ. ყველა სტროფის რითმული სქემა ერთნაირია (მაგ., ჯვარედინია), მაგრამ რითმა არ მეორდება. თითოეული სტროფის ბოლოს აუცილებელია პაუზა; გადატანა (ანჟამბემანი) არ გვხვდება. ქართ. პოეზიაში ცნობილია გ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვ. ს-ები.

სტაჟი, იხ. *შრომის სტაჟი.*

სტარა-ზაგორა, ქალაქი ბულგარეთში, სრედნა-გორის მთების ძირას. სტარა-ზაგორის ოკრუგის ადმ. ცენტრი. 142 ათ. მცხ. (1982). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. მანქანათმშ. (კვების მრეწვ. მოწყობილობა, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა, ჩარხთმშენებლობა), კვების, საფეიქრო მრეწვ., ქალაქის მახლობლად — დიდი ქიმ. კომბინატი (აზოტიანი სასუქები). სას.-სამ. რ-ნის ცენტრი.

რუს.-ოსმ. ომის (1877—78) დროს, 1877 წ. 19 (31) ივლ., ს.-ზ-ის (თურქ. ესკი-ზაგრა) რ-ნში გაიმართა ბრძოლა რუს.-ბულგ. რაზმსა (3500 კაცი, 12 ქვემეხი) და ოსმ. ჯარებს (12—15 ათ. კაცი, 24 ქვემეხი) შორის. რუს.-ბულგ. რაზმი გმირულად იგერიებდა ოსმალთა შეტევებს. ბრძოლაში ოსმალებმა დაკარგეს 1500 კაცი, რუსებმა და ბულგარელებმა — 600.

სტარა-ზაგორის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული ბულგარეთის ცენტრ. ნაწილში. ფართ. 4,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 399 ათ. კაცი (1978). ადმ. ც. — ქ. სტარა-ზაგორა. ს.-ზ. ო-ის ჩრდ. და ცენტრ. ნაწილის ზედაპირი მთიანია. მეურნ. ინდუსტრ.-აგრ. ხასიათისაა. საერთო-ბულგ. მნიშვნელობისაა ქვანახშირის (აღმ. მარიცის ქვანახშირის აუზი), ელექტროენერგეტ., ქიმ. მრეწვ., მანქანათმშ. (ქ-ები: სტარა-ზაგორა, კაზანლიკი, ჩირპანი), ელექტროფაიფურის ნაკეთობათა წარმოება, საფეიქრო, კვების, ცემენტის მრეწველობა.

ს.-ზ. ო. ბულგ. მნიშვნელოვანი სას.-სამ. რ-ნია. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ქერი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ბამბა, ყურძენი, პამიდორი, წიწაკა. კაზანლიკის ქვაბულში ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციებია. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ცხვარს, ღორს.

სტარაია-რუსა, ქალაქი რსფსრ ნოვგოროდის ოლქში, ნავმისადგომი მდ. პოლისტის (ილმენის ტბის აუზი) ნაპირზე. სტარაია-რუსის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, ნოვგოროდიდან 99 *კმ*. საავტ. გზების კვანძი.



ი. სტაროვი-




ვ. სტაროსელსკი-



სტარცევები. ო. სტარცევი. კრუტიცკის სამონასტრო ეკლესიის ჭიშკარზე დაშენებული „კოშკი". მოსკოვი. 1693—94.

სტარცევები. დ. სტარცევი. ქარვასლა. არხანგელსკი. 1668—84. ფასადი ეზოს მხარეს.



ცნობილია XI ს-იდან. 1478 შეიცდა მოსკ. სახელმწ. შემადგენლობაში. XVI ს. შუა წლებში მოსახლ. მიხედვით რუს. სახელმწ. IV ქალაქი იყო (მოსკ., ფსკოვისა და ნოვგოროდის შემდეგ).. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 5 (18) ნოემბ. 1941 წ. 9 აგვ-დან 1944 წ. 18 თებ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. ქალაქი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (1984).

ს.-რ-ში არის ქიმ., მანქანათსაშ., ხელსაწყოთსაშენი, სელის დასამუშ., წვენების საექსტრაქციო, აგურისა და სხვა ქ-ნები. საღამოს მექან. ტექნიკუმი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სტარა-პლანინა, ბალკანეთის მთები, მთები ბულგარეთში (ღას. შტოქედები იუგოსლავიაშია). სიგრძე 555 *კმ*, სიმაღლე 2376 *მ*-მდე (მთა ბოტევი). უმთავრესად აგებულია კამბრიულისწინა და პალეოზოური კრისტ. ფიქლებითა და გრანიტებით, მეზოზოური კირქვებით, ქვიშაქვებითა და კონგლომერატებით. შედგება პარალელური ქედებისაგან. ს.-პ-ზე არის უღელტეხილები: პეტროხანის, ჩურეკის, შიპკის, რესპუბლიკის. დას-ით განვითარებულია კარსტი. არის სპილენძის, ტყვია-თუთიის, რკინის, ქვანახშირისა და მურა ნახშირის საბადოები, ბევრია მინერ. წყარო და კურორტი. ს.-პ. ჩრდ. და სამხრ. ბულგ. კლიმატგამყოფია. თხემურ ნაწილში ნალექები 800—1100 *მმ* წელიწადში. ჩრდ. ნოტიო კალთები 1700—1800 *მ*-მდე შემოსილია მუხის, წიფლის, რცხილისა და წიწვოვანი ტყით. თხემურ ნაწილში მდელოა. ს.-პ-ის აღმ. ნაწილში არის ფართოფოთლოვანი ტყე, მარადმწვანე ქვეტყე და ლიანები. ს.-პ. იყოფა დას., შუა და აღმ. ნაწილებად. ეროვნ. პარკი სტენტო.

სტარაჯოვიცე (Starachowice), ქალაქი პოლონეთში, კიელცეს სავოევოდოში, მდ. კამიენის ნაპირზე. 50 ათ. მცხ. (1982). სატვირთო ავტომობილების ქ-ნა, ხის დამუშავება.

„სტარი ბოლშევიკ", რუსული ისტორიულ-რევოლუციური კრებული. გამოდიოდა მოსკოვში 1930—34. გამოსცემდა ძვ. ბოლშევიკთა საზ-ბა. გამოვიდა 11 კრებული. იბეჭდებოდა სტატიები, დოკუმენტები, მოგონებები, მოთხრობები, ნარკვევები რევ. თემებზე და სხვ. კრებულს უშვებდა გამომც. „სტარი ბოლშევიკი". პასუხისმგებელი მდივანი პ. ლეპეშინსკი. ტირაჟი 4—5 ათასი.

სტარი-ოსკოლი, ქალაქი რსფსრ ბელგოროდის ოლქში, მდ. ოსკოლისა და მისი შენაკადის ოსკოლეცის ნაპირებზე. სტარი-ოსკოლის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 142 ათ. მცხ. (1983). დაარსდა 1593 წ. 1779-იდან სამაზრო ქალაქია. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 დეკ-ში. 1919 სექტ.-ოქტ-ში თეთრგვარდიელთა ხელში იყო. 1942 წ. 2 ივნ-იდან 1943 წ. 5 თებ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

ს.-ო. *კურსკის მაგნიტური ანომალიის* რკინის მადნის მოპოვების ერთ-ერთი ცენტრია. მექან., ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის, ცემენტის ქ-ნები, საშენ მასალათა კომბინატი, საბაგირო და ავეჯის ფ-კები, კვების მრეწვ. საწარმოები. გეოლ.-სადაზვერვო და კოოპ. ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სახ. თეატრი

სტარიცკი მიხეილ პეტრეს ძე [2 (14). XII. 1840, სოფ. კლეშჩინცი, პოლტავის გუბ., — 14 (27). IV. 1904, კიევი], უკრაინელი მწერალი, თეატრალური მოღვაწე. ს-ს ეკუთვნის თარგმანები, ორიგინ. პოეტური კრებ. „ძველი რვეულიდან. სიმღერები და ფიქრები" (1881), რეალისტური სოც.-ყოფითი პიესები „წყვდიადში" (1893), „ბედი" (1894), ისტ. დრამები „ბოგდან ხმელნიცკი" (1887), „მარუსია ბოგუსლავკა" (1897), „ბუშის დაცვა" (1899) და სხვ. წერდა რუს. ენაზეც (ისტ. ტრილოგია „ბოგდან ხმელნიცკი": „ქარიშხლის წინ", 1894; „ქარიშხალი", 1896; „ნავმისადგომთან", 1897 და სხვ.).

სტარლინგი (Starling) ერნისტ ჰენრი (17. IV. 1866, ლონდონი, — 2. V. 1927, იამაიკა), ინგლისელი ფიზიოლოგი. 1899—1923 ლონდონის უნ-ტის პროფესორი იყო. მას ეკუთვნის გამოკვლევები სისხლის მიმოქცევის, ლიმფის წარმოქმნის, ნაწლავთა მოძრაობის, ინერვაციის, კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციის და სხვ. საკითხებზე. 1902 უ. ბეილისთან ერთად აღმოაჩინა *სეკრეტინი* და შემოიღო ტერმ. „ჰორმონი" (1905). ს-ის კოლოიდურ-ოსმოსური თეორია ახლებურად აშუქებდა ლიმფის წარმოქმნის პროცესს (ს-ის ულტრაფილტრაციული თეორია), შექმნა (ი. *პავლოვისა* და ნ. ჩისტოვიჩისაგან დამოუკიდებლად) გულ-ფილტვების პრეპარატის მოდიფიკაცია, რ-მაც ფართო გავრცელება პოვა და საშუალება მისცა ს-ს დაედგინა იზოლირებული გულის მოქმედების ზოგიერთი კანონზომიერება (იხ. *სტარლინგის კანონი*).

სტარლინგის კანონი, გულის კანონი, გულის შეკუმშვის ენერგიის დამოკიდებულება მისი კუნთოვანი ბოჭკოების გაჭიმვის ხარისხზე. გულის თითეული შეკუმშვის (სისტოლის) ენერგია იცვლება დიასტოლური მოცულობის პირდაპირპროპორციულად. აღმოჩნდა, რომ სისხლის მოცულობა, რ-საც გული არტერიებში გამოისვრის ყოველი სისტოლის დროს, იზრდება გულში დაბრუნებული ვენური სისხლის ოდენობის პროპორციულად. ს. კ. ხსნის ცვალებად გარემო პირობებთან გულის შეგუების ერთ-ერთ მექანიზმს. ეს თვითრეგულირებადი მექანიზმი, რ-იც განპირობებულია გულის კუნთის თვისებებით, ახასიათებს არა მარტო იზოლირებულ გულს, არამედ მონაწილეობს ორგანიზმში გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედების რეგულაციაში; კონტროლს უწევს ნერვული და ჰუმორული ზეგავლენა (იხ. *გული*).

სტაროგელსკი, ქალაქი უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში, მდ. აიდარის (ჩრდ. დონეცის შენაკადი) ნაპირზე. სტარობელსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. სარემონტო, რკინაბეტონის ნაკეთობათა, ლუდის, ხილსაკონსერვო, რძის ქ-ნები, ავეჯის, სამკერვალო ფ-კები. რკინიგზის ტრანსპ. მომსახურე საწარმოები. საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სტაროდუბი, ქალაქი რსფსრ ბრიანსკის ოლქში, მდ. ბაბინეცის (დნეპრის აუზი) ნაპირზე. სტაროდუბის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. ცნობილია XI ს-იდან, შედიოდა კიევის რუსეთში. XIII ს-ში მონღ.-თათრებმა დაწვეს. 1503—1618 მოსკ. სახელმწიფოს ეკუთვნოდა, შემდეგ — 1648-მდე — პოლონეთს 1781-იდან სამაზრო ქალაქია. 1917—18 დაიკავეს გერმ. ჯარებმა. საბჭ. ხელისუფლება აღდგა 1918 ნოემბ-ში. 1941 აგვ-დან 1943 წ. 22 სექტ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

ს.-ში არის ქერელის, ბოსტნეულსახმობი, ყველ-კარაქის, ლუდის ქ-ნები. ბრიანსკის გაერთიანება „მეტალისტის" ფილიალი.

სტაროვი ივანე ეგორის ძე [12 (23). II. 1745, პეტერბურგი, — 5 (17). IV. 1808, იქვე], რუსი არქიტექტორი, რუს. კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1758—62) ა. კოკორინოვთან და ჟ. ვალენ-დელამოტთან. 1762—68 როგორც სამხატვრო აკად. პენსიონერი ცხოვრობდა პარიზში (სწავლობდა შ. დე ვაისთან) და რომში. აკადემიკოსი (1769-იდან), პროფესორი (1785-იდან). 1769—72 ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში. 1772—74 სანქტ-პეტერბ. და მოსკ. ქვით მშენებლობათა კომისიის მთავარი არქიტექტორი. მის პირველ ნამუშევრებში [სახლები ბოგოროდიცკსა (ტულის მახლობლად) და ნიკოლსკი-გაგარინში (მოსკ. მახლობლად; ორივე — 1773—76)] — უკვე ჩანს ადრინდ. კლასიციზმის ნიშნები. მას ეკუთვნის ვორონეჟისა და ფსკოვის (ორივე — 1774) დაგეგმარება. 1774-იდან მუშაობდა *ალექსანდრე ნეველის ლავრის* რეკონსტრუქციაზე პეტერბურგში. 1780-იანი წწ. ნამუშევრებია: ტავრიდის სასახლე პეტერბურგში (1783—89), შერემეტევების სახლის პროექტი მოსკოვში. 1800-იდან კონტროლს უწევდა ყაზანის ტაძრის მშენებლობას პეტერბურგში.

ლიტ.: Белехов Н., Петров А., Иван Старов. Материалы к изучению творчества, М., 1950.

სტაროკონსტანტინოვი, ქალაქი უკრ. სსრ ხმელნიცკის ოლქში, მდ. სლუჩის (პრიპიატის აუზი) ნაპირზე. სტაროკონსტანტინოვის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. შაქრის კომბინატი, მშრალი რძის, რკინაბეტონის შპალების ქ-ნები, საყოფაცხოვრებო საქონლის ფ-კა.

სტაროსელსკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე [3 (15). XI. 1860, ჩერნიგოვი, — 26. VIII. 1916, პარიზი], რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთში, რსდმპ წევრი 1907-იდან, ბოლშევიკი. დაიბადა მოსამართლის ოჯახში. დაამთავრა მოსკ. სას.-სამ. აკადემია (1885). შავიზღვისპირეთის ოკრუგში მუშაობდა აგრონომად. 1888-იდან საქართველოში იყო და ფილოქსერის საწინააღმდეგო ბრძოლას ხელმძღვანელობდა. საქარაში, ზესტაფონის მახლობლად, დააარსა ამერ. ვაზის სანერგე. მოაწყო მებაღე მუშების მოსამზადებელი სკოლა. 1905 დაინიშნა ქუთ. გუბ. გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლად. ხელს უწყობდა და ეხმარებოდა რევ. მოძრაობას, რის გამოც „წითელი გუბერნატორი" შეარქვეს.

1906 იანვ-ში გაასახლეს ამიერკავკასიიდან. პარტ. მუშაობას ეწეოდა ჩრდ. კავკასიაში. იყო რსდმპ ყუბანის საოლქო კომიტეტის მდივანი; შემდეგ რსდმპ ჩრდ. კავკ. კავშირის კომიტეტის თავ-რე. რსდმპ IV კონფერენციის დელეგატი. 1908 ემიგრაციაში იყო საფრანგეთში. მონაწილეობდა ბოლშევიკების პარიზის სექციის მუშაობაში. გამოქვეყნებული აქვს შრომები მევენახეობის, საქართველოში რევ. მოძრაობის ისტ. და სხვ. საკითხებზე.

ლიტ.: მაღლაკელიძე ს., ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი (დოკუმენტები და მასალები), თბ., 1969.

სტარტერი (ინგლ. starter < start — დაწყება, გაშვება), ძრავას ასამუშაებელი სისტემის ძირითადი აგრეგატი, რ-იც მის ღერძს ანიჭებს ამუშავებისათვის საჭირო ბრუნვის სიხშირეს. ავტოტრაქტო-

რების ძრავების ასამუშავებლად იყენებენ ელექტრულ ს-ს. ელექტრულ ს-ს განეკუთვნება აგრეთვე ს.-გენერატორი, რ-იც ამუშავებისას მუშაობს როგორც ს., ხოლო ძრავას მუშაობისას გამოიყენება გენერატორად. საავიაციო ძრავების ასამუშავებლად იყენებენ პნევ., ელექტრულ და სხვა სახის ს-ებს.

სტარტსტოპური აპარატი სატელეგრაფო (ინგლ. start—დაწყება, გაშვება და stop—გაჩერება), ასთთასაბეჭდი *ტელეგრაფის აპარატი*, რ-თვისაც დამახასიათებელია გადამცემისა და მიმღების წყვეტილი მუშაობა. ს. ა-ს იყენებენ სატელეგრაფო კავშირის ხაზებზე, როგორც ბოლო დანადგარს და *მონაცემების გადაცემის* დაბალჩქარულ სისტემებში. ს. ა. ცნობებს იძლევა დაბეჭდილი ტექსტის სახით, მუშაობს ავტომატური რეჟიმით ოპერატორის გარეშე, მაღალმწარმოებლურია და საიმედო.

სტარუჭკინო, სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში (შრომის სოფსაბჭო), მთა ჩუშკუბაის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 640 *მ*, სოხუმიდან 20 *კმ*. შრომის კოლ-ბა „გამარჯვება" (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. მთისუბანში (2 *კმ*).

სტარცევები, XVII ს. II ნახ. რუსი არქიტექტორები. დიმიტრი მიხეილის ძე (დ. და გ. წლები უცნობია), ააშენა (1671-იდან) ქარვასლა არხანგელსკში (დაიწყო 1668, დამთავრდა 1684). მონაწილეობდა მოსკ. კრემლის სამების ჭიშკრის დაშენების სამუშაოებში. ოსიპ დიმიტრისძე (დ. წ. უცნობია — გ. 1714-ის შემდეგ). დ. მ. სტარცევის შვილი და მოწაფე. ნაგებობებში იყენებდა XVII ს. II ნახ. რუს. ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს — ფერად შორენკეცს, თეთრი ქვის კვეთილ დეტალებს. ნამუშევრები: კრემლში გადააკეთა სასახლის ეკლესიები, რ-ებიც გააერთიანა მაცხოვრის ტაძართან და აღდგომისა და ჯვარცმის ეკლესიებთან ერთიანი სახურავითა და კარნიზით (1681—82) და სხვ.

სტასიუნასი იონას ანტანო (დ. 26. IX. 1919, სოფ. ნიჩუნაი, ახლანდ. კუპიშკისის რ-ნი), საბჭ. მომღერალი (ბარიტონი), სსრკ სახ. არტისტი (1964). სკპ წევრი 1957-იდან. 1948 დაამთავრა კაუნასის კონსერვატორია. 1941-იდან ლიტ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ს. ფლობს ფართო დიაპაზონის ხმას, რ-იც თანაბრად ჟღერს ყველა რეგისტრში. პარტიები: მარგერისი (კლოვას „პილენაი"), იგორი (ბოროდინის „თავადი იგორი"), ბორის გოდუნოვი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი", სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), მაზეპა (ჩაიკოვსკის „მაზეპა"), იაგო და რიგოლეტო (ვერდის „ოტელო" და „რიგოლეტო"), პორგი (გერშვინის „პორგი და ბესი"). 1962-იდან ვილნიუსის კონსერვ. პედაგოგია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

სტასოვა ელენე დიმიტრის ასული [3 (15). X. 1873, პეტერბურგი, — 31. XII. 1966, მოსკოვი], რუსეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე. სოციალ. შრომის გმირი (1960), კომპარტიის წევრი 1898-იდან. 1893, პეტერბ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ნ. კრუპსკაიასთან ერთად მუშაობდა მუშათა საკვირაო სკოლებში, ეწეოდა ს.-დ. პროპაგანდას. 1898-იდან მოღვაწეობდა *პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში"*. 1901-იდან „ისკრის" აგენტი იყო. პარტ. მუშაობას განაგრძობდა პეტერბურგში, ორიოლში, *კიევში*, სმოლენსკში, მოსკოვში, მინსკსა და ვილნიუსში. 1907—12 — რსდმპ ცკ-ის წარმომადგენელი თბილისში. 1917 თებ. — 1920 მარტი — პარტიის ცკ-ის მდივანი. 1920—21 პეტროგრ. და ბაქოში პასუხისმგებელი მუშაკი იყო. 1921—26 მუშაობდა კომინტერნში. 1927—37 — სსრკ რევმედასის აღმასკომის თავ-რის მოადგილე და რემედასის ცკ-ის თავ-რე. 1935—43 — „კომინტერნის ინტერნაციონალური ლიტერატურის" (ინგლ. და ფრანგ. ენებზე) რედაქტორი. პარტიის VI—IX, XV—XVII და XXII ყრილობების დელეგატი. VII—VIII ყრილობებზე აირჩიეს ცკ-ის წევრად, XVI-ზე — ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრად. იყო სრულიად რუს. ცკ-ისა და სსრკ ცკ-ის წევრი. ავტორია მრავალი სტატიისა და მოგონებისა. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, აგრეთვე მედლებით. დაკრძალულია მოსკოვში, კრემლის კედელთან.

სტასოვი ვასილი პეტრეს ძე [24. VII (4. VIII). 1769, მოსკოვი, — 24. VIII (5. IX). 1848, პეტერბურგი], რუსი არქიტექტორი. გვიანდ. კლასიციზმის წარმომადგენელი. 1783—94 იყო არქიტ. თანაშემწე მოსკოვის სამთავროს გამგეობაში. 1790-იანი წწ. დასასრულიდან მუშაობდა დამოუკიდებლად. 1802—08 არქიტექტურას სწავლობდა საფრანგეთსა და იტალიაში. 1808-იდან მუშაობდა პეტერბურგში. პეტერბ. სამხატვრო აკად. აკადემიკოსი (1811). 1817-იდან იმპერატორის კარზე განაგებდა მშენებლობის საქმეს. მნიშვნელოვანი ნამუშევრები 1810-იანი წლებიდან — 1820-იან წწ. დასაწყისამდე: პავლეს პოლკის ყაზარმები (ახლანდ. „ლენენერგო"; 1817—20),—მარსის ველის ანსამბლის მნიშვნელოვანი ნაწილი—პეტერბურგში; მანეჟი (1819—21)—ცარსკოე სელოში (პუშკინში) და სხვ. 1820-იანი წლების დასასრ. — 1830-იან წლებში ს-მა პეტერბურგში ააგო ფერისცვალებისა (1827—29) და სამების (1828—35; სკულპტურული დეკორი ს. გალბერგისა) დიდი ტაძრები; ნარვისა (1833; სპილენძის ორთვალა — პ. კლოდტი, ს. პიმენოვი; სკულპტურული დეკორი — მ. კრილოვი, ნ. ტოკარევი და სხვ.) და მოსკ. (თუჯი; 1834—38; სკულპტურული დეკორი — ბ. ორლოვსკი) სატრიუმფო კარები. დაასრულა სმოლნის მონასტრის ტაძარი და სენაკების დას. კორპუსები (1832—35). აღადგინა 1837 ხანძრის შემდეგ ზამთრის სასახლის ფასადები, დარბაზები და ეკლესიები (1838—39).

ლიტ.: Пилявский В. И., Зодчий В. П. Стасов. 1769—1848. [Л., 1970]. ილუსტრაცია — იხ. ჩანართი I—II, გვ. 656 — 657.

სტასოვი ელადიმერ ვასილის ძე [2 (14) I. 1824, პეტერბურგი, — 10 (23). X. 1906, იქვე], რუსი მხატვრობისა და მუსიკის კრიტიკოსი, ხელოვნების ისტორიკოსი, არქეოლოგი, არქიტ. ვ. პ. *სტასოვის* შვილი. დაამთავრა მართლმსაჯულების სასწავლებელი (1843). 1872-იდან განაგებდა საჯარო ბ-კის მხატვრულ განყოფილებას (ახლანდ. მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-კა). XIX ს. რუს. დემოკრ. კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1900). 1847-იდან სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს სახვით ხელოვნებაზე, მუსიკაზე. ს-ის ესთეტ. შეხედულებები ემყარებოდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ბ. ბელინსკის, ა. გერცენის და ნ. ჩერნიშევსკის ესთეტ. პრინციპებს. ს. აქტიურად მონაწილეობდა „ახალი რუსული მუსიკალური სკოლის" შემოქმედებით ცხოვრებაში, რ-საც მან „ძლავრი ჯგუფი" უწოდა. ს-მა პირველმა შეაფასა და მხარი დაუჭირა მ. ანტოკოლსკის, ვ. ვასნეცოვის, ვ. ვერეშჩაგინის, ი. კრამსკოის, ვ. პეროვის, ი. რეპინის შემოქმედებას. გამოიკვლია და შეისწავლა მ. გლინკას, მ. მუსორგსკის, ა. ბოროდინის, მხატვრების კ. ბრიულოვის, ა. ივანოვის. ი. რეპინის და სხვ. შემოქმედება. შექმნა საშემსრულებლო სკოლის ისტატთა—ო. პეტროვის, ა. რუბინშტეინის შემოქმედებითი პორტრეტები. ს-ის შრომები წარმოადგენს რუს. ესთეტიკური აზროვნების კლასიკურ მემკვიდრეობას.

თხზ.: Избр. соч., т. 1—3, М., 1952.

ლიტ.: В. В. Стасов. Сб. статей и воспоминаний, сост. Е. Д. Стасова, М.—Л., 1949; К изучению наследия В. В. Стасова, «Советская музыка», 1974, № 7; Лебедев А. К., Солодовников А. В., В. В. Стасов. Жизнь и творчество, М., 1976.

სტატერი (ბერძნ. statēr), *ძვ.* ბერძნული მასის ერთეული და მონეტა. ჭრიდნენ ელექტრუმის, ვერცხლისა და ოქროს ს-ებს. მასა სხვადასხვა პუნქტში სხვადასხვა იყო. მაგ., მილეტის ელექტრუმის ს. იწონიდა 14 გ-ს, კიზიკოსისა—16 გ-ს, ეგინის ვერცხლის ს.—12,12 გ-ს, ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336—323) სახელით მოჭრილი ოქროს ს-ის საშ. მასა 8,6 გ-ს შეადგენდა. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული კიზიკოსის ელექტრუმის ალექსანდრე მაკედონელისა და თრაკიის შეფის ლისიმაქეს (ძვ. წ. 306—281) ოქროს ს-ები.

გ. დუნდუა.



ი. სტასიუნასი.

სტატია, 1. ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი. ს-ს ახასიათებს მოვლენის გააზრება და ანალიზი, არგუმენტირებული განზოგადება და დასკვნა, რ-იც ადასტურებს წამოყენებულ კონცეფციასა და იდეას. ს. დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს პროპაგანდისტული, პრობლემური, კრიტ., სამეცნ. და სხვ. გარდა ამისა, საბჭ. პარტ. ბეჭდვით სიტყვაში ჩამოყალიბდა ს-ის განსაკუთრებული სახეობა — დირექტიული (მოწინავე) ს. 2. ოფიც. იურიდ. აქტის, დოკუმენტის ნაწილი, მუხლი.

სტატიკა (<ბერძნ. statikē—მოძღვრება წონის, წონასწორობის შესახებ), *მექანიკის* ნაწილი, რ-იც შეისწავლის მატერიალურ სხეულთა წონასწორობის პირობებს მათზე ძალების მოქმედების დროს. ს-ს ყოფენ ანალიზურ და გეომ. ს-დ. ანალიზური ს-ის საფუძველია *შესაძლო გადაადგილებათა პრინციპი*, გეომეტრიული ს. დაფუძნებულია ე. წ. ს-ის აქსიომებზე, რ-ებიც გამოხატავენ მატერ. ნაწილაკსა და აბსოლუტურად მყარ სხეულზე (ე. ი. სხეულზე, რ-ის წერტილებს შორის მანძილი ყოველთვის უცვლელია) მოქმედ ძალთა თვისებებს. ს-ის ძირითადი აქსიომები ადგენს: 1. მატერ. ნაწილაკზე მოქმედ ორ ძალას აქვს ტოლქმედი, რ-იც შეიძლება განისაზღვროს *ძალთა პარალელოგრამის* წესით; 2. მატერ. ნაწილაკზე (ან აბსოლუტურად მყარ სხეულზე) მოქმედი ორი ძალა აწონასწორებს ერთმანეთს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი სიდიდით ტოლია, მოქმედებენ ერთი წრფის გასწვრივ და მიმართული არიან ერთმანეთის საწინააღმდეგოდ; 3. გაწონასწორებული ძალების დამატება ან გამოკლება არ ცვლის მოცემული სისტემის მოქმედებას მყარ სხეულზე. ამასთან, გაწონასწორებულს უწოდებენ ძალებს, რ-თა მოქმედებითაც თავისუფალი მყარი სხეული უძრავია ათვლის ინერციული სისტემის მიმართ.


გეომ. ს-ის მეთოდებით შეისწავლება მყარი სხეულების: ს. ამასთან, განიხილება შემდეგი ორი ტიპის ამოცანა: 1. მყარ სხეულზე მოქმედ ძალთა სისტემის დაყვანა მარტივ სახეზე; 2. მყარ სხეულზე მოქმედი ძალების წონასწორობის პირობების განსაზღვრა.

დრეკადად დეფორმირებადი მყარი სხეულის, სითხისა და აირის წონასწორობის აუცილებელი და საკმარისი პირობები განიხილება შესაბამისად *დრეკადობის თეორიაში*, *ჰიდროსტატიკასა* და *აეროსტატიკაში*.


ს-ის ძირითად ცნებებს განეკუთვნება ცნებები *ძალისა*, *ძალის მომენტისა*, ცენტრის ან ღერძის მიმართ და *წყვილ ძალის* შესახებ. ძალებისა და რომელიმე ცენტრის მიმართ მათი მომენტების შეკრება ხდება ვექტორთა შეკრების წესით. მოცე-



ე. სტასოვა.



ვ. პ. სტასოვი.



ვ. ვ. სტასოვი. პორტრეტი. ი. რეპინის ნახატი. 1883. რუსული მუზეუმი. ლენინგრადი.

მულ სხეულზე მოქმედი ყველა F_k ძალის გეომ. ჯამს (R) უწოდებენ ძალთა სისტემის მთავარ ვექტორს, ხოლო O ცენტრის მიმართ ამ ძალების $m_o(F_k)$ მომენტების გეომ. M_o ჯამს—ძალთა სისტემის მთავარ მომენტს მითითებული ცენტრის მიმართ: $R=\Sigma F_k$, $M_o=\Sigma m_o(F_k)$.

ძალთა დაყვანის ამოცანის ამოხსნა იძლევა შემდეგ ძირითად შედეგს: აბსოლუტურად მყარ სხეულზე მოქმედი ძალების ნებისმიერი სისტემა ეკვივალენტურია ერთი ძალისა, რ-იც სისტემის R მთავარი ვექტორის ტოლია და მოდებულია ნებისმიერად არჩეულ O ცენტრში, აგრეთვე ერთი წყვილძალისა, რ-ის მომენტი O ცენტრის მიმართ სისტემის მთავარი M_o მომენტის ტოლია. აქედან გამომდინარეობს, რომ სხეულზე მოქმედი ძალების ნებისმიერი სისტემა შეიძლება დახასიათდეს მისი მთავარი ვექტორითა და მთავარი მომენტით. ამ შედეგს ფართოდ იყენებენ პრაქტიკაში, როდესაც იძლევიან, მაგ., თვითმფრინავზე ან რაკეტაზე მოქმედ აეროდინ. ძალებს და სხვ.

უმარტივესი სახე, რ-ზედაც შეიძლება დავიყვანოთ ძალების მოცემული სისტემა, დამოკიდებულია R და M_o მნიშვნელობებზე. თუ $R=0$ და $M_o\neq 0$, მაშინ ძალთა მოცემული სისტემა დაიყვანება მხოლოდ ერთ წყვილძალაზე, რ-ის მომენტი იქნება M_o. თუ $R\neq 0$ და $M_o=0$ ან $M_o\neq 0$, მაგრამ R და M_o ვექტორები ურთიერთპერპენდიკულარულია (ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ ძალები პარალელურია ან ერთ სიბრტყეში მდებარეობენ), მაშინ სისტემა დაიყვანება მხოლოდ ტოლქმედი ძალის მოქმედებაზე, რ-იც R ტოლია. დაბოლოს, თუ $R\neq 0$, $M_o\neq 0$ და ეს ვექტორები არ არის ურთიერთპერპენდიკულარული, ძალთა სისტემას არა აქვს ტოლქმედი და მისი მოქმედება დაიყვანება ძალისა და წყვილძალის მოქმედებაზე (ან ორი აცდენილი ძალის).

მყარ სხეულზე მოქმედი ძალების წებისმიერი სისტემისათვის წონასწორობის აუცილებელი და საკმარისი პირობაა R და M_o ვექტორების ნულთან ტოლობა. აქედან გამომდინარე, განტოლებები, რ-ებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წონასწორობაში მყოფ სხეულზე მოქმედი ძალები, იხ. სტატიაში *მექანიკური სისტემის წონასწორობა*. სხეულთა სისტემის წონასწორობის შესწავლისას ყოველი ცალკეული სხეულისათვის წერენ წონასწორობის განტოლებებს და მხედველობაში ღებულობენ ქმედებისა და უკუქმედების ტოლობის კანონს. თუ სხეულებს შორის არსებული ბმების შესაბამისი რეაქციების საერთო რიცხვი აღემატება ამ რეაქციების შემცველ განტოლებათა რიცხვს, მაშინ შესაბამის სხეულთა სისტემა სტატიკურად განუსაზღვრელია, მისი წონასწორობის შესასწავლად საჭიროა სხეულთა დეფორმაციის გათვალისწინება.

ს-ის ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება გრაფიკულადაც (იხ. *თოკის მრავალკუთხედი, ძალთა მრავალკუთხედი*).


ლიტ.: მირიანაშვილი მ., ზოგადი ფიზიკის კურსი, ნაწ. 1, გამოც. მე-3, თბ., 1973; Пуансо Л., Начала статики, П., 1920; Тарг С. М., Краткий курс теоретической механики, 9 изд., М., 1974.

სტატიკურად რკვეველი სისტემა, კონსტრუქციების სისტემა, რ-შიც ყველა ბმის რეაქციები (ძალები საყრდენ სამაგრებში, ღეროებში და ა. შ.) ნებისმიერი დატვირთვის დროს შეიძლება განისაზღვროს სტატიკის განტოლების მეშვეობით (იხ. *საბშენებლო მექანიკა*). ს. რ. ს. მოიცავს მხოლოდ ისეთ ბმებს, რ-ებიც აუცილებელია მისი გეომ. უცვლელობის უზრუნველსაყოფად. სტატიკურად ურკვეველი სისტემისაგან განსხვავებით, ს. რ. ს-ში საყრდენების დაჯდომა, ტემპ-რული ზემოქმედება, აწყობის ან დამზადების უზუსტობანი და მისთ. გავლენას არ ახდენს ძალვების განაწილებასა და სიდიდეზე; ძალვები დამოკიდებული არ არის მასალის ფიზ.-მექან. მახასიათებლებსა და სისტემის ელემენტების განივ ზომებზე.

სტატიკურად ურკვეველი სისტემა, კონსტრუქციების გეომეტრიულად უცვლელი სისტემა, რ-შიც ბმების რეაქციების (ძალვები საყრდენ სამაგრებში, ღეროებში და ა. შ.) განსასაზღვრავად საჭიროა სტატიკის განტოლებებისა (იხ. *საბშენებლო მექანიკა*) და სისტემის დეფორმაციების მახასიათებელ დამატებით განტოლებათა ერთობლივი განხილვა. ს. უ. ს-ის აუცილებელი და საკმარისი ნიშანია ე. წ. ზედმეტი (ჭარბი) ბმების არსებობა, რ-ებიც შეიძლება მოვაცილოთ სისტემას მისი გეომ. უცვლელობის დარღვევის გარეშე. დამატ. განტოლებათა რიცხვს, რ-იც ტოლია ზედმეტი ბმების (ზედმეტი უცნობების) რიცხვისა, უწოდებენ სისტემის სტატ. ურკვეველობის ხარისხს. იმის გამო, რომ ს. უ. ს., *სტატიკურად რკვეველი სისტემისაგან* განსხვავებით, ინარჩუნებს ზიდვის უნარს (გეომ. უცვლელობას) მაშინაც, როცა იგი კარგავს ერთ ან ყველა ზედმეტ ბმას, ს. უ. ს. უფრო საიმედოა. ს. უ. ს-ის გაანგარიშების ძირითადი მეთოდებია ძალთა მეთოდი და გადაადგილებათა მეთოდი, იყენებენ ე. წ. შერეულ მეთოდსაც. დიდი რაოდენობის უცნობების შემცველ განტოლებათა ამოხსნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს *ელექტრონული გამომთვლელი მანქანა* (ეგმ).

ლიტ.: Киселев В. А., Строительная механика, 2 изд., М., 1969.

სტატიკური სისტემა რეგულირების, ავტომატური რეგულირების სისტემა, რ-შიც ცდომილება (გადახრა) დამყარებულ მდგომარეობაში ზოგად შემთხვევაში არ არის 0-ის ტოლი და დამოკიდებულია ობიექტის დატვირთვის სიდიდეზე. ერთკონტურიანი ს. ს. (ნახ.) შედგება რეგულირების ობიექტისა და მართვის მოწყობილობისაგან, რ-ებშიც შედის საზომი გარდამქმნელი (გადამწოდი), რეგულატორი და შემსრულებელი მექანიზმი. სარეგულირებელ ობიექტზე მოქმედებს მმართველი ზემოქმედება $x_2(t)$ და გარე შეშფოთება $f(t)$. რეგულირების ობიექტის სარეგულირებელი სიდიდე $x(t)$ გარდაიქმნება საზომი გარდამქმნელით $x^*(t)$ სიგნალად, რ-იც რეგულატორს გადაეცემა და შედარდება მმართველი ზემოქმედების $g(t)$ მოცემულ სიდიდეს, შედეგად წარმოიქმნება გაუთანხმოების სიგნალი $\mu(t)=gt-x^*(t)$. შემდეგ რეგულატორში ფორმირდება დამოკიდებულება გაუთანხმოების სიგნალსა $\mu(t)$ და რეგულატორის მმართველ სიდიდეს $x_1(t)$ შორის, ე. ი. ფორმირდება რეგულირების კანონი. სტატ. პროპორციული რეგულატორისათვის $x_1=K_R\cdot\mu$, სადაც K_R რეგულატორის გადაცემის (გაძლიერების) კოეფიციენტია. სტატ. რეგულატორები შედარებით მარტივი, ეკონ. და ნაკლებინერციულია, რის გამოც მათი გამოყენება მიზანშეწონილია სამრეწვ. დანადგარების ავტომ. რეგულირების სისტემებში.



სტატიკური სისტემა რეგულირებისა. ერთკონტურიანი სტატიკური რეგულირების სისტემის ფუნქციური სქემა: რო—რეგულირების ობიექტი; მმ—მართვის მოწყობილობა; სგ—პირველადი საზომი გარდამქმნელი (გადამწოდი); სრ—სტატიკური რეგულატორი; რკბ—რეგულირების კანონის ფორმირების ბლოკი; შმ—შემსრულებელი მექანიზმი.

სტატიკური შეგრძნება, იხ. *წონასწორობის შეგრძნება*.

სტატისტი (გერმ. Statist<ბერძ. statos —მდგომარე), მსახიობი, რ-იც ასრულებს უსიტყვო როლს (ან რამდენიმე სიტყვიანს), მასობრივი სცენის მონაწილე.

სტატისტიკა (გერმ. Statistik<იტალ. stato, გვიანდ. ლათ. status — სახელმწიფო), საზოგადოებრივი მეცნიერება, რ-იც შეისწავლის მასობრივი საზ. მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში ადგილისა და დროის განსაზღვრულ პირობებში. ს. როგორც მეცნიერება, გვიან ჩამოყალიბდა, მაგრამ სტატისტ. პრაქტიკას აქვს თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. უძველეს პერიოდში სახელმწიფოს სამეურნეო და საომარი საჭიროების გამო ტარდებოდა მოსახლ. რიცხოვნობისა და მისი შემადგენლობის, მიწის სავარგულების, ქონებისა და სხვ. აღრიცხვა.

საისტორიო წყაროების მიხედვით სტატისტ. ცნობების მოპოვება საქართველოში XIII ს-იდან იწყება. 1254-58 მონღოლმა ნოინმა არღუნმა აღწერა საქართვ. მოსახლეობა და მათი ქონება. 1689-იდან, ერეკლე I-ის მეფობის ხანაში, საქართვ. სადროშოების სარდლები შვიდ წელიწადში ერთხელ ატარებდნენ თავიანთი სადროშოებში ხალხის აღწერას. ჩვენს დრომდეა მოღწეული XVII—XVIII სს. დავთრები, რ-ებშიც ჰქონდათ აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები.

სტატისტ. მეცნ. განვითარება მიმდინარეობდა ორი მიმართულებით. პირველი მიმართულება აღმოცენდა გერმანიაში და სახელმწიფოთმცოდნეობა (აღწერილობითი სკოლა) ეწოდებოდა. ამ სკოლის წარმომადგენლების (ჰ. კონრინგი, გ. ახენვალი და სხვ.) აზრით, ს-ის ამოცანაა სახელმწიფოს ღირსშესანიშნაობათა აღწერა კანონზომიერებათა ანალიზისა და მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის გარეშე.

II მიმართულებას საფუძველი ჩაეყარა ინგლისში და ცნობილია „პოლიტიკური არითმეტიკოსების" სახელწოდებით. ამ მიმართულების დამაარსებელია უ. *პეტი*. მისი შეხედულებით ს-ის ძირითადი ამოცანაა საზ. მოვლენების კანონზომიერებებისა და მათი ურთიერთკავშირის გამოვლენა.

სტატისტ. მეცნ. შემდგომი განვითარება დაკავშირებულია XIX ს. ცნობილი ბელგ. მათემატიკოსის ა. კეტლეს სახელთან. მისი დამსახურებაა სტატისტ. მონაცემთა დამუშავებაში მათ. მეთოდების სისტემ. გამოყენება.

სტატისტ. მეცნ. თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდმა რუსმა მეცნიერებმა: მ. ლომონოსოვმა, ა. ჩუპროვმა, დ. ჟურავსკიმ, პ. ჩებიშევმა, ი. კირილოვმა, კ. არსენიევმა, კ. გერმანმა, ი. იანსონმა და სხვებმა. XIX ს. II ნახევარში რუსეთში სტატისტ. აზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია *საერობო სტატისტიკამ*.

XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა სპეც. მეცნ. დისციპლინა — მათ. ს. (პ. ჩებიშევი, ა. ლიაპუნოვი, ა. მარკოვი).

ს-ის ისტორიაში ახ. ეტაპია მარქსისტულ-ლენინური ს-ის შექმნა და განვითარება. მარქსიზმ-ლენინიზმის შრომებში განხილულია ს-ის თეორიისა და მეთოდოლ. პრინციპული საკითხები. 1918 წ. 25 ივნ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა „დებულება სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ". 1918 წ. სექტში შეიქმნა სახელმწიფო ს-ის ერთიანი ხელმძღვ. ორგანო—ცენტრ. სტატისტ. სამმართველო. სტატისტ. მონაცემები ქვეყნდება სტატისტ. კრებულებში.

საბჭ. ს-ის მთავარი ამოცანაა სახელმწ. გეგმების შესრულების პროცესის ამსახველი საიმედო, მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემების მიღება და შესაბამისი სახელმწ. ორგანოებისათვის დროულად გადაცემა. საზ. კანონზომიერების ზუსტი აღწერა და გაზომვა ს-ის ერთერთი და არა ერთადერთი ფუნქციაა. სტატისტ. მეთოდოლოგია შესაძლებლობას იძლევა გამოვიკვლიოთ ფაქტორთა ერთობლიობა, გამოვსახოთ მთლიანი პროცესი, გავითვალისწინოთ მოვლენის ფორ-

მების განვითარების ტენდენცია და მრავალფეროვნება. იგი შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ და გავაანალიზოთ მოვლენის მიზეზობრივი დამოკიდებულება და კანონზომიერება.

ობიექტური სინამდვილის განვითარების კანონზომიერებათა გამოვლენა ს-ს შეუძლია ისეთი სტატისტ. მეთოდების საშუალებით, როგორიცაა დაკვირვების, დაჯგუფების, შეფარდებითი სიდიდეების, საშ. სიდიდეების, ინდექსებისა და სხვ. მეთოდები, რ-ებიც ერთად აღებული ს-ის მეცნ. კვლევის მეთოდს შეადგენენ.

თანამედროვე ს. არის ერთიანი მეცნ. დისციპლინა. სსრკ-ში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით იგი იყოფა ს-ის ზოგად თეორიად (რ-შიც მოცემულია მისი ზოგადი პრინციპები და მეთოდები), ეკონ. ს-დ, რ-იც აერთიანებს და სწავლობს სახ. მეურნ. კვლავწარმოების სფეროში მიმდინარე მასობრივი საზ. ეკონ. მოვლენების რაოდენობრივ მხარეს თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში მაჩვენებელთა სისტემის საშუალებით. ეკონომიკის რაოდენობრივ მხარეს შეისწავლის ეკონ., მრეწვ., მშენებლობის, სოფ. მეურნ., ტრანსპ. და კავშირგაბმ. ს. საზ. ცხოვრების ზედნაშენის რაოდენობრივ მხარეს კი — დემოგრაფიული, პოლიტ., ჯანდაცვის, საფინანსო და სხვა ს.

საბჭ. სტატისტ. მეცნ. თეორიისა და პრაქტიკის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ს. სტრუმილინმა, ვ. ნემჩინოვმა, მ. პტუხამ, ტ. რიაბუშკინმა, ვ. სტაროვსკიმ, ბ. იასტრემსკიმ, მ. სმიტმა, ლ. ნეკრაშმა, ა. ბოიარსკიმ, ბ. ურლანისმა და სხვებმა.

თანამედროვე ს-ის ბაზაა გამოთვლითი ცენტრის ქსელი, საინფორმაციო-გამომთვლელი და მანქანურ-საანგარიშო სადგურები. IX ხუთწლედში (1971—75) მოქმედებაში შევიდა სახელმწ. ს-ის ავტომატიზებული სისტემის (ACTC) პირველი რიგი.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 3; მისივე, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, იქვე, ტ. 27; მისივე, საერობო სტატისტიკის ამოცანების საკითხისათვის, იქვე, ტ. 20; მისივე, სტატისტიკა და სოციოლოგია, იქვე, ტ. 23; მისივე, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის, იქვე, ტ. 4; ბერაძე შ., სტატისტიკის ზოგადი თეორიის საფუძვლები, თბ., 1969; გამყრელიძე გ., თეორიული სტატისტიკა, ნაწ. 1, თბ., 1947; Боярский А., Теоретические исследования по статистике, М., 1974; Птуха М. В., Очерки по истории статистики XVII—XVIII веков, [М.], 1945; მისივე, Очерки по истории статистики в СССР, т. 1, М., 1955; Чупров А. А., Очерки по теории статистики, М., 1959; Ястремский Б., Труды по статистике, М., 1937.

ქ. კოპალეიშვილი.

სტატისტიკური ანგარიშგება სსრკავშირში, სტატისტიკური მეთვალყურეობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ს. ა-ის პროგრამა არის მაჩვენებელთა სისტემა, რ-იც ახასიათებს საანგარიშო პერიოდში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის შედეგებს. ს. ა-ის მონაცემები სახ. მეურნ. გეგმის შედგენის ბაზა და მისი შესრულების კონტროლის იარაღია. ანგარიშგება შეიძლება იყოს სტატ., საბუღალტრო, სასწრაფო, საფოსტო, წლიური, ნახევარწლიური, კვარტალური, თვიური, ათდღიური. ს. ა. ორგვარია: დარგთაშორისი და დარგობრივი.

სსრკ-ში შემოღებულია სახელმწ. ანგარიშგების მწყობრი სისტემა და დადგენილია მისი შედგენისა და წარდგენის რაციონალური წესი. ს. ა-ის ფორმების შედგენა მკაცრადაა უნიფიცირებული და ტიპიზებული. ს. ა-ის დროული წარდგენისა და მონაცემების სიზუსტისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

ნ. გოგიძე.

სტატისტიკური გადაწყვეტის თეორია, გადაწყვეტილების მიღების სტატისტიკური თეორია, რ-იც ესაზღვრება როგორც *მათემატიკურ სტატისტიკას*, ისე *თამაშის თეორიას*. დასაშვებ გადაწყვეტილებათა D სიმრავლიდან რომელიმე d გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა ცალსახად არ განსაზღვრავდეს შედეგს, რადგან უკანასკნელზე გავლენას ახდენს უცნობი ფაქტორების ერთობლიობა („ბუნების" პარამეტრი a). ამრიგად, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დანაკარგები არის (d,a) წყვილის $W(d,a)$ ფუნქცია. ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობას $\delta=\delta(x_1,\ldots,x_n)$ სტატისტიკური გადამწყვეტი ფუნქციების შემოღებამდე მივყავართ, ეს ფუნქციები მნიშვნელობას D სიმრავლიდან იღებენ. აქ $x_1,\ldots,x_n$ არის a პარამეტრზე დამოკიდებული განაწილების მქონე რომელიმე x შემთხვევით სიდიდეზე დაკვირვებათა შედეგები. საშ. დანაკარგები იზომება $\rho(\delta,a)=E_aW[\delta(x_1,\ldots,x_n),a]$ რისკის ფუნქციით, სადაც E_a ნიშნავს მათ. ლოდინს a პარამეტრის ფიქსირებული მნიშვნელობისათვის. ტრივიალურ შემთხვევათა გარდა შეუძლებელია ისეთი δ-ს არჩევა, რომ რისკის ფუნქცია მინიმალური იყოს ერთდროულად ყოველი დასაშვები a-სათვის. ამიტომ საჭირო ხდება გადაწყვეტილების მიღების კომპრომისული პრინციპების შემოღება.

ს. გ. თ-ის ზოგად სქემაში ექცევა მათ. სტატისტ. ისეთი დარგები, როგორიცაა მიმდევრობითი ანალიზი (ყოველი ახ. დაკვირვების საჭიროება განისაზღვრება წინა დაკვირვებათა შეფეგებით), *ექსპერიმენტთა დაგეგმვის თეორია*, *ჰიპოთეზათა სტატისტიკური შემოწმება* და სხვ.

ლიტ.: Льюс Р. Д., Райфа Х., Игры и решения, пер. с англ., М., 1961.

თ. შერვაშიძე. რ. ჩიტაშვილი.

სტატისტიკური და დინამიკური კანონზომიერებანი, კანონზომიერების ორი ტიპი, რ-თა დაფუძნება მოცემულია თანამედროვე მეცნიერებაში. დინამ. კანონზომიერება (დკ) გამოხატავს ერთმნიშვნელოვან კავშირებს საგნებსა და მოვლენებს შორის. სისტემის (ან მისი ნებისმიერი ელემენტის) აწმყო მდგომარეობა ერთმნიშვნელოვნად (მკაცრად) განსაზღვრულია წარსული მდგომარეობით. ასევე მომავალი მკაცრად დეტერმინირებულია. დკ გამოხატავს აბსოლ. აუცილებლობას და გამორიცხავს ყოველგვარ შემთხვევითობას. იგი ახასიათებს კლასიკური მექან. კანონებს.

სტატისტ. კანონზომიერება (სკ) გამოხატავს არაერთმნიშვნელოვან (არამკაცრ) კავშირებსა და მიმართებებს მოვლენებს შორის. იგი ახასიათებს მასობრივ შემთხვევით მოვლენათა სიმრავლეს, რ-ის ცალკეული ელემენტი ერთ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, მთლიანი სიმრავლისათვის დგინდება რაღაც საშ. კანონზომიერება, რ-საც მიახლოებით ემორჩილება მისი ყოველი ინდივიდ. მოვლენა. სწორედ ეს საშ. კანონზომიერება გამოხატავს შედარებით რეგულარობას (აუცილებლობას) და არ გამორიცხავს შემთხვევითობას. სკ ალბათური ბუნებისაა, ამიტომ მისი მათ. დამუშავება მიმდინარეობს ალბათობის თეორიის საფუძველზე. განასხვავებენ ორი ტიპის სკ-ს: 1. იგი არ ასახავს ობიექტურ კანონზომიერებას, მაგრამ შემოიტანება პრაქტ. მოსაზრებებით. მისი გამოყენება უფრო მოხერხებული და მიზანშეწონილია, ვიდრე დკ-ისა (ასე ესმოდათ, სკ XIX ს. კლასიკურ ფიზიკაში); 2. იგი ასახავს ობიექტურ კანონზომიერებას (ასეა გაგებული სკ თანამედროვე მეცნიერებაში).

ლიტ.: Кушнер В. И., Детерминизм и вероятность, М., 1976; Мизес Р., Вероятность и статистика, пер. с нем., М.—Л., 1930; Проблема причинности в современной физике, М., 1960.

ვ. ერქომაიშვილი.

სტატისტიკური დამოუკიდებლობა, იხ. *დამოუკიდებლობა.*

სტატისტიკური დაჯგუფება, საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შესწავლის მიზნით ჩატარებული სტატისტიკური დაკვირვების საფუძველზე მოპოვებულ მონაცემთაგან არსებითი ნიშნების მქონე ერთგვაროვანი, ტიპური ჯგუფების გამოყოფა (გამოცალკევება). ს. დ-ის მეთოდი განვითარებული სოციალიზმის, კერძოდ, მისი ეკონ. და კულტ. საკითხების მეცნ. შესწავლის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. იგი ემყარება შესაბამისი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივსა და თვისებრივ ანალიზს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შეიმუშავეს ს. დ-ის მეცნ. თეორია, რ-იც საფუძვლად უდევს სახელმწ. სტატისტიკის განვითარებას სოციალ. ქვეყნებში. მარქსიზმმა გვიჩვენა საზ.-ეკონ. ფორმაციების წარმოშობის, განვითარებისა და შეცვლის პროცესის ყოველმხრივი შესწავლის გზა, რადგან იგი განიხილავს არა მარტო ყველა წინააღმდეგობრივი ტენდენციის ერთობლიობას, არამედ ისინი დაჰყავს საზ-ბის სხვადასხვა კლასის ცხოვრებისა და წარმოების ზუსტად განსაზღვრულ პირობებამდე. ვ. ი. ლენინის შრომებში მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული ს. დ-ის უამრავი ნიმუში. ეკონ. სტატისტიკამ დაჯგუფებას აუცილებლად უნდა დაუდოს საფუძვლად მეურნეობის ოდენობა და ტიპები, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი (თხზ., ტ. 3, გვ. 104).

საბჭ. სტატისტიკაში ფართოდ იყენებენ ს. დ-ის ისეთ მეთოდოლოგიას, რ-იც აუცილებელი წინაპირობაა მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გასაკეთებლად.

ს. დ-ის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების თვისებრივ და რაოდენობრივ ნიშნებს. სტატისტიკაში გეხვდება პირველადი და მეორეული, აგრეთვე მარტივი და რთული დაჯგუფებანი, მათი გამოყენება დაკავშირებულია იმაზე, თუ რა შინაარსის, ხასიათისა და შედგენილობის მოვლენებთან გაქვს საქმე.

ს. დ. დიდ როლს ასრულებს სსრკ-ის ეკონ. და სოც.-განვითარების კანონზომიერებათა დადგენაში. მას ფართოდ იყენებენ მოსახლ. საკავშ. აღწერის შედეგების დამუშავებისას, ქვეყნის ეკონ. განვითარების პროპორციულობის შესასწავლად, რეზერვების გამოსაელენად და გეგმების შესრულების ხარისხის შესაფასებლად, აგრეთვე საკუთრების ფორმების დახასიათებისა და სხვადასხვა სახის საბალანსო გაანგარიშებებისათვის.

კ. ელიზბარაშვილი.

სტატისტიკური მექანიკა, იგივეა, რაც *სტატისტიკური ფიზიკა*.

სტატისტიკური ფიზიკა, ფიზიკის ნაწილი, რ-ის ამოცანაა გამოსახოს მაკროსკოპული სხეულების, ე. ი. დიდი რაოდენობის ერთნაირი ნაწილაკებისაგან (მოლეკულები, ატომები, ელექტრონები და ა. შ.) შედგენილი სისტემების თვისებები ამ ნაწილაკთა თვისებებისა და მათი ურთიერთქმედების საშუალებით.

მაკროსკოპულ სხეულებს შეისწავლის ფიზ. სხვა დარგებიც: *თერმოდინამიკა*, *უწყვეტი გარემოს მექანიკა*, უწყვეტი გარემოს ელექტროდინამიკა. მაგრამ ამ დისციპლინების მეთოდებით კონკრეტული ამოცანის ამოხსნის დროს შესაბამისი განტოლებები ყოველთვის შეიცავს მოცემული სხეულის დამახასიათებელ უცნობ პარამეტრებს ან ფუნქციებს. მაგ., ჰიდროდინ. ამოცანების ამოხსნის დროს აუცილებელია სითხის ან აირის მდგომარეობის განტოლების, ე. ი. ტემპ-რასა და წნევაზე სიმკვრივის დამოკიდებულების

ცოდნა. ცნობილი უნდა იყოს აგრეთვე სითხის თბოტევადობა, სიბლანტე და სხვ; ყველა დამოკიდებულება და პარამეტრი, ცხადია, შესაძლებელია განისაზღვროს ექსპერიმენტულად. ამიტომ ზემოთ დასახელებულ მეთოდებს ფ ე ნ ო მ ე ნ ო ლ ო გ ი ურ ს უწოდებენ. ს. ფ. საშუალებას იძლევა პრინციპულად მაინც, ბევრ შემთხვევაში კი ფაქტობრივადაც, ყველა ეს სიდიდე გამოითვალოს, თუ ცნობილია მოლეკულათა შორის ურთიერთქმედების ძალები. ამრიგად, ს. ფ. იყენებს მონაცემებს სხეულების „მიკროსკოპული“ აგებულების შესახებ, ითვალისწინებს რა ტიპის ნაწილაკებისაგანაა ისინი შედგენილი და როგორ ურთიერთქმედებენ ეს ნაწილაკები ერთმანეთთან. ამიტომ ს. ფ-ს მ ი კ რ ო ს კ ო პ ულ თ ე ო რ ი ა ს ა ც უწოდებენ. იმის გამო, რომ მაკროსკოპულ სისტემებში ნაწილაკთა რიცხვი ძალიან დიდია (მაგ., 1 $სმ^3$ აირში 0°C ტემპ-რასა და 1 $ატმ$ წნევაზე $2{,}7 \cdot 10^{19}$ მოლეკულაა), სისტემის ქცევის დადგენა ყოველი ცალკეული ნაწილაკის ქცევის ჩვეულებრივი მექან. ან კვანტურ-მექან. აღწერის გზით შეუძლებელია არა მარტო ტექ. სიძნელეების გამო, არამედ პრინციპულადაც. მაგრამ სწორედ ნაწილაკთა დიდი რიცხვი განაპირობებს ასეთი სისტემების ქცევაში ახ. — ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ურ ი — კანონზომიერებების წარმოშობას, რ-ებისთვისაც დამახასიათებელია კონკრეტული საწყისი პირობებისაგან (ნაწილაკთა საწყისი კოორდინატებისა და სიჩქარეების ზუსტი მნიშვნელობებისაგან) სრული დამოუკიდებლობა. ასეთი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა ის ცნობილი ცდისეული ფაქტი, რომ გარე ზემოქმედებისაგან იზოლირებული სისტემა დროთა განმავლობაში გადადის გარკვეულ წონასწორულ მდგომარეობაში, რ-ის თვისებები განისაზღვრება სისტემის საწყისი მდგომარეობის მხოლოდ ისეთი ზოგადი მახასიათებლებით, როგორიცაა ნაწილაკთა სრული რიცხვი, მათი ჯამური ენერგია და ა. შ. ქვემოთ განხილულია ძირითადად მხოლოდ წონასწორული მდგომარეობის ს. ფ. საჭიროა ხაზი გაესვას იმასაც, რომ ს. ფ-ის ამოცანაა მაკროსკოპულ სხეულთა ფიზ. თვისებების მხოლოდ საშ. მნიშვნელობების და არა მათი ზუსტი მნიშვნელობების დადგენა. ფიზ. სიდიდეთა ზუსტი მნიშვნელობები შეიძლება განუწყვეტლივ იცვლებოდეს დროის მიხედვით, მაგრამ, როცა ნაწილაკთა რიცხვი დიდია, ისინი უმნიშვნელოდ ირხევიან საშ. მნიშვნელობების მახლობლად (იხ. *ფლუქტუაციები*).

სისტემის მდგომარეობის ალბათობა. ფიზიკურ სიდიდეთა საშ. მნიშვნელობები. ფიზ. სისტემის სხვადასხვა მდგომარეობა შეიძლება განხორციელდეს ამა თუ იმ ალბათობით. თუ სისტემის მდგომარეობაზე დამოკიდებული რომელიმე f სიდიდე სისტემის მდგომარეობის ცალსახა ფუნქციაა, მაშინ თითოეულ i-ურ მდგომარეობას შეესაბამება ამ სიდიდის f_i მნიშვნელობა და პირიქით: თუ სიდიდე ღებულობს f_i მნიშვნელობას, მაშინ სისტემა i-ურ მდგომარეობაშია. i-ური მდგომარეობის w_i ალბათობა განისაზღვრება როგორც t_i დროის (რ-ის განმავლობაში სისტემა i-ურ მდგომარეობაშია) და სისტემაზე დაკვირვების მთელი t დროის ფარდობის ზღვარი, როცა t უსასრულოდ იზრდება:

$$w_i = \lim_{t\to\infty} t_i/t. \qquad (1)$$

i-ური მდგომარეობის ალბათობა ემთხვევა f სიდიდის f_i მნიშვნელობის მიღების ალბათობას:

$$w_{f_i} = \lim_{n\to\infty} n_i/n, \qquad (1а)$$

სადაც n_i არის გაზომვათა რიცხვი, რ-ის შედეგად მიღებულია f სიდიდის f_i მნიშვნელობები, ხოლო n — გაზომვათა საერთო რიცხვი. სისტემის მდგომარეობათა უწყვეტი ცვლილებისას იმ მდგომარეობაში, რ-შიც f სიდიდეს აქვს ზუსტად f_i მნიშვნელობა, სისტემა უსასრულოდ მცირე დროის განმავლობაშია. ამიტომ უნდა განვიხილოთ არა f_i მნიშვნელობა, არამედ f სიდიდის მნიშვნელობათა ინტერვალი. იმის ალბათობა, რომ f სიდიდეს ექნება $(f,\ f+df)$ ინტერვალში მოთავსებული მნიშვნელობები, უდრის

$$dw_f = \lim_{t\to\infty} \Delta t_i/t, \qquad (1б)$$

სადაც Δt_i არის დრო, რ-ის განმავლობაში სისტემა $(f,\ f+d_f)$ ინტერვალში მოთავსებული სიდიდის მნიშვნელობათა შესაბამის მდგომარეობებშია. ცხადია, რომ Δt_i დრო და, მაშასადამე, dw_f ალბათობა df ინტერვალის სიდიდის პროპორციულია. ამიტომ ხელსაყრელია dw_f წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$dw_f = \rho(f)df, \qquad (1в)$$

სადაც $\rho(f)$ არის იმის ალბათობა, რომ f სიდიდე მოთავსებულია ერთეულ ინტერვალში. $\rho(f)$ ფუნქციას ა ლ ბ ა თ ო ბ ი ს ს ი მ კ ვ რ ი ვ ეს ან ალბათობის გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ას უწოდებენ.

დისკრეტული სიდიდის სტატისტ. საშ. მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\bar{f} = \lim_{n\to\infty} \sum f_i\, n_i/n = \sum f_i w_i \qquad (2)$$

(აჯამვა ხდება სისტემის ყველა მდგომარეობის მიხედვით). უწყვეტი სიდიდის შემთხვევაში

$$\bar{f} = \int f dw = \int f\rho(f)df \qquad (2а)$$

(ინტეგრირება ხდება სისტემის ყველა შესაძლო მდგომარეობის მიხედვით).

სტატისტ. განაწილება. განვიხილოთ ისეთი N ნაწილაკისაგან შემდგარი სისტემა, რ-თაც არა აქვთ შინაგანი თავისუფლების ხარისხები. ამგვარი სისტემა აიწერება $6N$ დამოუკიდებელი ცვლადით: ნაწილაკების $3N$ კოორდინატით q_i და $3N$ იმპულსით $p_i (i=1,2,\ldots,N)$. სიმარტივისათვის კოორდინატთა ერთობლიობას აღნიშნავენ q-თი, ხოლო იმპულსებისას p-თი. განვიხილოთ $6N$-განზომილებიანი სივრცე (ე. წ. ფ ა ზ ურ ი ს ი ვ რ ც ე), რ-ის კოორდინატთა ღერძებზე გადაზომილია სისტემაში შემავალი ყველა ნაწილაკის კოორდინატები და იმპულსები. დროის ნებისმიერ t მომენტს შეესაბამება ყველა q და p სიდიდის გარკვეული მნიშვნელობები, ე. ი. ფაზური სივრცის გარკვეული წერტილი, რ-იც გამოსახავს სისტემის მდგომარეობას დროის მოცემულ მომენტში.

სტატისტ. განაწილება განისაზღვრება როგორც $dw(p,\ q)$ ალბათობა იმისა, რომ სისტემა იმყოფებოდეს $(q,\ p)$ წერტილის შემომსაზღვრელ უსასრულოდ მცირე არეში:

$$dw(p,\ q) = \rho(p,\ q)dpdq, \qquad (3)$$

სადაც $\rho(p,\ q)$ არის განაწილების ფუნქცია, $dpdq = dp_1\, dq_1, \ldots, dp_{3N}\, dq_{3N}$ ფაზური სივრცის ელემენტარული მოცულობა. განაწილების ფუნქცია აკმაყოფილებს ნორმირების პირობას:

$$\int \rho(p,q)dpdq = 1, \qquad (4)$$

ვინაიდან სისტემა აუცილებლად ფაზური სივრცის რომელიღაც წერტილის შესაბამის მდგომარეობაშია. განაწილების ფუნქცია საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ მაკროსკოპული სისტემის რომელიმე f ფიზ. სიდიდის საშ. მნიშვნელობა ფორმულით:

$$\bar{f} = \int f[p(t), q(t)]\rho(p,q)dpdq. \qquad (5)$$

თუ განაწილების ფუნქცია ცხადად არაა დამოკიდებული დროზე, მაშინ სისტემა სტატისტ. წონასწორობაშია. ქვემოთ განიხილება სწორედ ასეთი სისტემები.

ს. ფ-ის მნიშვნელოვანი ცნება — ქვესისტემა — არის ჩაკეტილი სისტემის მცირე ნაწილი, რ-შიც ნაწილაკთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია სისტემაში შემავალ ნაწილაკთა საერთო რაოდენობაზე. სისტემაში შემავალი ქვესისტემების ურთიერთქმედება იმდენად რთულია, რომ თითოეული მათგანის მდგომარეობათა განსაზღვრა კიდევ უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე აირში ცალკეული მოლეკულის მოძრაობის დადგენა. გარდა ამისა, ცალკეული ქვესისტემის მდგომარეობა დროის გარკვეულ მომენტში არ ახასიათებს მთელი ქვესისტემების ერთობლიობათა მდგომარეობას, მსგავსად იმისა, რომ აირის ცალკეული მოლეკულის სიჩქარე ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს მთელი აირის თვისებას. ამის გამო, შეისწავლიან არა ცალკეულ ქვესისტემას დროის მიხედვით, არამედ ქვესისტემათა ერთობლიობიდან ნებისმიერად არჩეული ქვესისტემის გარკვეულ i-ურ მდგომარეობაში მოხვედრის w_i ალბათობას. თუ ამ ალბათობათა განაწილება ცნობილია, მაშინ, თუ მოცემულია ერთნაირ ქვესისტემათა დიდი რაოდენობა (ე. წ. ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ურ ი ან ს ა მ ბ ლ ი), შეიძლება განვსაზღვროთ მოცემულ მდგომარეობაში მყოფი ქვესისტემების საშ. რიცხვი, ცალკეული ქვესისტემის მდგომარეობის მახასიათებელი ნებისმიერი ფიზ. სიდიდის საშ. მნიშვნელობა და სიდიდეთა გადახრა მათი საშ. მნიშვნელობებიდან.

თეორიის ექსპერიმენტთან შედარებისას საჭიროა ფიზ. სიდიდეთა გამოთვლილი მნიშვნელობები შევადაროთ ცდისეულ შედეგებს. ფიზ. სიდიდეთა გაზომვას სჭირდება სასრული დროის შუალედი, რ-იც გაცილებით დიდია მიკროსკოპული პროცესებისათვის დამახასიათებელ დროზე. ნებისმიერი გაზომვის შედეგი შესაბამისი ფაზური ფუნქციის საშუალოა დროის მიხედვით. მაგრამ დროის მიხედვით საშუალოს გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია მოძრაობის განტოლებებში შემავალი უამრავი ცვლადის გამო. ამიტომ დროის მიხედვით საშუალოს ცვლიან საშ. სტატისტიკურით, ე. ი. საშუალოთი ანსამბლის მიხედვით. ამავე დროს გულისხმობენ გასაშუალებას მოცემული ენერგიის მქონე მდგომარეობათა მიხედვით, ე. ი. გასაშუალებას ე. წ. მიკროკანონიკური ანსამბლის მიხედვით, მაშასადამე, საჭიროა დავასაბუთოთ, რომ დროის მიხედვით გასაშუალება ეკვივალენტურია ფაზური გასაშუალებისა. ს. ფ-ის ჰიპოთეზა, ე. წ. ე რ გ ო დ უ ლ ი ჰ ი პ ო თ ე ზ ა გულისხმობს, რომ სისტემის მახასიათებელი ფიზ. სიდიდეების საშ. დროის მიხედვით უდრის მათ საშ. სტატისტ. მნიშვნელობებს. ფიზ. სიდიდის (5) ფორმულით გამოთვლილი საშ. მნიშვნელობა უნდა უდრიდეს მის საშ. მნიშვნელობას სისტემის ფაზური ტრაექტორიის გასწვრივ საკმაოდ დიდი დროის (ზღვარში უსასრულო) მიხედვით

$$\bar{f} = \lim_{t\to\infty} \frac{1}{t} \int_0^t f\ [p(t),\ q(t)]\ dt, \qquad (6)$$

ე. ი. იგულისხმება, რომ ანსამბლის ერთი წევრის (ქვესისტემის) ისტორია დაიყვანება ანსამბლის მრავალი წევრის ერთდროულ განხილვაზე.

პირველად ერგოდული ჰიპოთეზა წამოაყენა ლ. *ბოლცმანმა*. ამ ჰიპოთეზის თანახმად, მუდმივი ენერგიის თითოეული ზედაპირი შექმნილია სისტემის ერთი ტრაექტორიით, ე. ი. ჩაკეტილი სისტემის ტრაექტორია დროთა განმავლობაში გადის ზედაპირის ყველა წერტილში. 1913 დადგინდა ბოლცმანის ჰიპოთეზის უსაფუძვლობა, ვინაიდან ჰამილტო-

ნის განტოლებები ცალსახად განსაზღვრავს ტრაექტორიის მხებს და გამორიცხავს ფაზური ტრაექტორიის თვითგადაკვეთას. ამიტომ ეს ჰიპოთეზა შეცვალა კვაზიერგოდულმა ჰიპოთეზამ, რ-ის თანახმად, ჩაკეტილი სისტემის ფაზური ტრაექტორია მუდმივი ენერგიის ზედაპირის ნებისმიერ წერტილთან რაგინდ ახლოს გაივლის. ამჟამად, მიუხედავად ცალკეული მიღწევებისა (ჯ. ბირკჰოფი, 1931), დროით და ფაზურ საშუალოთა ტოლობა ჯერ მკაცრად არ არის დამტკიცებული და ს. შ. ჯერ კიდევ თეორიულად დასაბუთებული არ არის. კვაზიერგოდული ჰიპოთეზა ს. შ-ის პოსტულატია, რ-ის მართებულება მტკიცდება თეორიის ცდასთან შედარებით.

ს. შ-ის ძირითადი დებულების თანახმად, შესაძლებელია განაწილების ფუნქციის განსაზღვრა ზოგადი მოსაზრებიდან გამომდინარე. შეიძლება ჩვენება იმისა, რომ განაწილების ფუნქცია წარმოადგენს მოძრაობის ინტეგრალს, ე. ი. განაწილების ფუნქცია მუდმივია, თუ p და q იცვლება მოძრაობის განტოლებათა შესაბამისად (ლიუვილის თეორემა).

ჩაკეტილი სისტემის მოძრაობისას მისი სრული ენერგია ინახება. ამიტომ დროის სხვადასხვა მომენტში ჩაკეტილი სისტემის შესაძლო მდგომარეობების გამომსახველი წერტილები ფაზურ სივრცეში უნდა მდებარეობდნენ რომელიღაც „ჰიპერზედაპირზე", რ-იც შეესაბამება ენერგიის საწყის E მნიშვნელობას. ასეთი ზედაპირის განტოლება გამოისახება შემდეგნაირად:: $H(p,q)=E$, სადაც $H(p,q)$ არის კოორდინატებისა და იმპულსების საშუალებით გამოსახული სისტემის ენერგია, ე. ი. მისი ჰამილტონის ფუნქცია. დროთა განმავლობაში სისტემის შესაძლო მდგომარეობათა გამომსახველი წერტილები ამ ზედაპირზე თანაბარი სიმკვრივით განაწილდება. ასეთი განაწილება იზოენერგეტ. ზედაპირზე აიწერება განაწილების ფუნქციით:

$$\rho(p,q)=A\delta[H(p,q)-E]; \qquad (7)$$

$\delta[H(p,q)-E]$ *დელტა-ფუნქცია*ა და განსხვავდება ნულისაგან მხოლოდ მაშინ, როდესაც $H(p,q)=E$. A მუდმივა განისაზღვრება ნორმირების პირობით (4). განაწილების ფუნქციას (7) ეწოდება მიკროკანონიკური. მაშასადამე, გიბზის მიკროკანონიკური განაწილება შეეხება ისეთ მაკროსისტემებს, რ-თაც დიდი დროის განმავლობაში შეუძლიათ იმყოფებოდნენ მოცემული ენერგიის მქონე მდგომარეობებში. ასეთ სისტემებს ერგოდეულს უწოდებენ. იგი საშუალებას გვაძლევს (5) ფორმულით გამოვითვალოთ ნებისმიერი ფიზ. სიდიდის საშ. მნიშვნელობა მოძრაობის განტოლებათა ამოხსნის გარეშე. ჩვეულებრივად განიხილავენ ხოლმე არა ჩაკეტილ სისტემებს, არამედ მაკროსკოპულ სხეულებს, რ-ებიც რომელიმე ჩაკეტილი სისტემის მაკროსკოპულად მცირე ნაწილები ანუ ქვესისტემებია. განაწილების ფუნქცია ქვესისტემისათვის განსხვავდება (7)-გან, მაგრამ არ არის დამოკიდებული სისტემის გარე ნაწილის, ე. წ. თერმოსტატის კონკრეტულ ხასიათზე. ქვესისტემის განაწილების ფუნქცია გამოისახება შემდეგნაირად:

$$\rho(p,q)=e^{[F-H(p,q)]/kT}. \qquad (8)$$

სადაც F არის თავისუფალი ენერგია, T ტემპ-რა, k — ბოლცმანის მუდმივა. ნორმირების კოეფიციენტი $e^{F/kT}$ განისაზღვრება (4) პირობიდან

$$e^{-F/kT}=Z=\int e^{-H(p,q)/kT}dpdq. \qquad (8ა)$$

(8) გამოსახულებას კანონიკურ განაწილებას ანგიბზის კანონიკურ განაწილებას უწოდებენ. Z სტატისტ. ინტეგრალია.

მიკროკანონიკური განაწილებისაგან განსხვავებით გიბზის განაწილებაში სისტემის ენერგია მოცემული არ არის, საშ. სიდიდეები გამოისახება ტემპ-რის და არა ენერგიის საშუალებით. ფორმულა (8) მართებულია იმ სისტემებისათვის, რ-ებიც კლასიკური მექანიკით აიწერებიან. კვანტურ მექანიკაში სასრული მოცულობებისათვის ენერგეტ. სპექტრი დისკრეტულია. ქვესისტემის რომელიმე ენერგეტ. მდგომარეობაში ყოფნის ალბათობა განისაზღვრება ფორმულით:

$$w_n=e(F-E_n)/kT, \qquad (9)$$

ნორმირების პირობა $\sum_n w_n=1$ ჩაიწერება ამგვარად:

$$e^{-F/kT}=Z=\sum_n e^{-E_n/kT}, \qquad (10)$$

სადაც Z სტატისტ. ჯამია.

თუ სისტემა საკმარისად კარგი მიახლოებით შეიძლება აიწეროს კლასიკური მექან. გამოყენებით, (10)-ში შეიძლება გადასვლა ჯამიდან ინტეგრალზე.

$$Z=\frac{1}{N!(2\pi\hbar)^{3N}}\int e^{-H(p,q)/kT}dpdq, \qquad (10ა)$$

სადაც $(2\pi\hbar)^{3N}$ არის ერთ კვანტურ მდგომარეობაზე მოსული ფაზური სივრცის ელემენტის მოცულობა, ხოლო ჩ — პლანკის მუდმივა.

თუ სისტემას შეუძლია გარემოსთან ნაწილაკების გაცვლა, მაშინ მისი მდგომარეობა აიწერება გიბზის დიდი კანონიკური განაწილებით (იხ. *გიბზის განაწილება*).

ს. შ-ის უმნიშვნელოვანესი შედეგია თერმოდინ. სიდიდეების სტატისტ. არსის დადგენა. ეს საშუალებას იძლევა გამოყვანილ იქნეს თერმოდინ. კანონები ს. შ-ის ზოგადი წარმოდგენების საფუძველზე და გამოითვალოს თერმოდინ. სიდიდეები კონკრეტული სისტემებისათვის. უწინარეს ყოვლისა, თერმოდინ. შინაგანი ენერგია გაიგივებულია სისტემის საშ. ენერგიასთან. მაშინ თერმოდინ. პირველი კანონი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც სისტემის ენერგიის შენახვის კანონი მისი შემადგენელი ნაწილაკების მოძრაობის დროს.

ს. შ-ის მეთოდებით თერმოდინ. სიდიდეების გამოთვლისას ძირითადად იყენებენ (10) ფორმულას, რ-იც აკავშირებს სისტემის თავისუფალ F ენერგიას სტატისტ. Z ჯამთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *ენტროპიის* განმარტებას, რ-იც მიიღება (10) ფორმულიდან.

იდეალური აირი. ს. შ-ის კვლევის უმარტივესი ობიექტია იდეალური აირი, ე. ი. აირი, რ-იც იმდენადაა გაიშვიათებული, რომ მოლეკულათა შორის ურთიერთქმედება შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს. იმისათვის, რომ აირში მოლეკულები სრულიად დამოუკიდებლად ჩაითვალოს, გარდა ზემოაღნიშნულისა, საჭიროა აგრეთვე უგულებელყოფა გაცვლითი ურთიერთქმედებისა — კვანტური ბუნების ურთიერთქმედებისა, რ-იც დაკავშირებულია ნაწილაკთა იგივეობასთან. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მაშინ, როდესაც სისტემაში ერთ მდგომარეობაზე საშუალოდ ერთზე ბევრად ნაკლები ნაწილაკი მოდის, ასეთ აირს გადაუგვარებელს უწოდებენ. გადაუგვარებელი იდეალური აირის განაწილების ფუნქციას აქვს ცალკეულ მოლეკულათა განაწილების ფუნქციების ნამრავლის სახე. ერთატომიანი აირის მოლეკულის ენერგია გარე ველში უდრის $p^2/2M+U(r)$, სადაც M არის მოლეკულის მასა, ხოლო $U(r)$ — მისი პოტენციური ენერგია გარე ველში. (8) ფორმულის ინტეგრირება ერთის გარდა ყველა ნაწილაკის კოორდინატებითა და იმპულსებით იძლევა იმ მოლეკულათა რიცხვს, რ-თა იმპულსები dp_x, dp_y, dp_z ინტერვალებშია, ხოლო კოორდინატები — dx, dy, dz ინტერვალებში.

$$dN=Ce^{-\frac{1}{kT}\left(\frac{p^2}{2M}+U(r)\right)}dp_x dp_y dp_z dx dy dz. \qquad (11)$$

ამ ფორმულას მაქსველ-ბოლცმანის განაწილებას უწოდებენ. თუ ამ ფორმულაში მოვახდენთ ინტეგრირებას იმპულსებით, მივიღებთ ნაწილაკთა განაწილებას კოორდინატების მიხედვით გარე ველში. კერძოდ, თუ გარე ველი სიმძიმის ველია, მიიღება *ბარომეტრული ფორმულა*. განაწილება სიჩქარეების მიხედვით სივრცის მოცემულ წერტილში ემთხვევა *მაქსველის განაწილებას*.

იდეალური აირის სტატისტ. ჯამი ასევე შეიძლება წარმოვადგინოთ ცალკეული მოლეკულის შესაბამისი ერთნაირი წევრების ნამრავლის სახით. (10) ფორმულიდან შეიძლება გამოითვალოს თავისუფალი ენერგია, რ-საც N ატომისაგან შედგენილი V მოცულობის იდეალური აირისათვის აქვს შემდეგი სახე:

$$F=-NkT\ln\left[\frac{eV}{N}\left(\frac{MkT}{2\pi\hbar^2}\right)^{3/2}g\right], \qquad (12)$$

სადაც g ატომის ძირითადი მდგომარეობის სტატისტ. წონაა. თავისუფალი ენერგიის გამოსახულებიდან გამომდინარეობს იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება, ე. ი. მისი წნევის (p) დამოკიდებულება ნაწილაკთა სიმკვრივესა, (N/V) და ტემპ-რაზე (T): $pV=NkT$. შეიძლება გამოითვალოს ერთატომიანი აირის შინაგანი ენერგია E და მისი C_v თბოტევადობა:

$$E=\frac{3}{2}NkT, \quad C_v=\frac{3}{2}Nk. \qquad (13)$$

ორ- ან მრავალატომიანი აირის შემთხვევაში თერმოდინ. სიდიდეებში გარკვეული წვლილი შეაქვს რხევითი და ბრუნვითი თავისუფლების ხარისხსაც.

გადაგვარებული აირი. მუდმივი სიმკვრივის პირობებში აირის ტემპ-რის შემცირებისას მნიშვნელოვანი ხდება ერთნაირი ნაწილაკებისაგან შედგენილი სისტემის ტალღური ფუნქციის სიმეტრიის თვისებებთან დაკავშირებული კვანტურ-მექან. ეფექტები; აირი „გადაგვარდება". მთელნახევარი სპინის მქონე ნაწილაკებისათვის ტალღური ფუნქცია უნდა იცვლიდეს ნიშანს ნებისმიერი ორი ნაწილაკის გადასმის დროს. ამის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ერთ კვანტურ მდგომარეობაში არ შეიძლება ერთზე მეტი ნაწილაკი იყოს (*პაულის პრინციპი*), მთელსპინიანი ნაწილაკებისათვის მათი რიცხვი ერთ მდგომარეობაში შეზღუდული არ არის, მაგრამ ნაწილაკთა გადასმის დროს ტალღური ფუნქციის უცვლელობა აქაც იწვევს სისტემის სტატისტ. თვისებების შეცვლას. მთელნახევარი სპინის მქონე ნაწილაკები (*ფერმიონები*) აიწერება *ფერმი—დირაკის სტატისტიკით*. ფერმიონებია: ელექტრონები, პროტონები, ნეიტრონები, დეიტერიუმის ატომები და სხვ. მთელსპინიანი ნაწილაკები (*ბოზონები*) აიწერება *ბოზე—აინშტაინის სტატისტიკით*. ბოზონებია წყალბადის ატომი, სინათლის კვანტი (ფოტონი) და სხვ.

გიბზის განაწილებიდან გამომდინარეობს, რომ იდეალური აირისათვის ფერმიონების (ზედა ნიშანი) და ბოზონების (ქვედა ნიშანი) ნაწილაკთა რიცხვი ფაზური სივრცის ერთ უჯრედში (ერთ კვანტურ მდგომარეობაში) გამოისახება ფორმულით:

$$n_p=\frac{1}{e^{(\varepsilon-\mu)/kT}\pm 1}, \qquad (14)$$

სადაც $\varepsilon=p^2/2M$ არის p იმპულსის მქონე ნაწილაკის ენერგია, ხოლო μ — ე. წ. ქიმ. პოტენციალი, რ-იც შეიძლება განისაზღვროს ნაწილაკთა რიცხვის მუდმივობის პირობით. (14) ფორმულა, როცა $kT\gg(\hbar^2/M)(N/V)^{2/3}$ გადადის ბოლცმანის განაწილების (11) ფორმულაში, ამიტომ

აღნიშნული პირობა აირის გადაუგვარებლობის პირობაა. ამ პირობიდან გამომდინარეობს, რომ გადაგვარება საგრძნობია მით უფრო დაბალ ტემპ-რაზე, რაც უფრო მეტია ნაწილაკის მასა და რაც უფრო ნაკლებია ნაწილაკთა რაოდენობა მოცულობის ერთეულში.

ფერმიონების აირში (ფერმი-აირში) $T=0$ K ტემპ-რაზე ნაწილაკებს ნულისაგან განსხვავებული იმპულსები აქვთ, ვინაიდან ნულოვანი იმპულსის მქონე მდგომარეობაში შეიძლება მხოლოდ ერთი ფერმიონი იყოს. უფრო ზუსტად, $T=0$ K ტემპ-რაზე ფერმი-აირისთვის $n_p=1$ ფერმის ზედაპირის — იმპულსთა სივრცეში $p_F = \left(\frac{6\pi^2}{g}\right)^{1/3} \hbar \left(\frac{N}{V}\right)^{1/3}$ რადიუსის მქონე სფეროს—შიგნით, ხოლო ამ „ფერმი-სფეროს" გარეთ $n_p=0$. ნულისაგან განსხვავებულ ტემპ-რაზე n_p თანდათან იცვლება 1-იდან სფეროს შიგნით ნულამდე სფეროს გარეთ. ამასთან, გარდამავალი არის სიგანე MkT/P_F რიგისაა. ტემპ-რის ცვლილებისას ნაწილაკთა მდგომარეობა იცვლება მხოლოდ გარდამავალ არეში, ამიტომ ფერმი-აირის თბოტევადობა დაბალ ტემპრებზე T პროპორციულია და უდრის:

$$C = N\left(\frac{g\pi}{6}\right)^{2/3} \frac{Mk^2T}{\hbar^3}\left(\frac{V}{N}\right)^{2/3}. \quad (15)$$

ბოზონების აირში (ბოზე-აირი) $T=0$ ტემპ-რაზე ყველა ნაწილაკი ნულოვანი იმპულსის მქონე მდგომარეობაშია. საკმარისად დაბალ ტემპ-რაზე $p=0$ იმპულსის მქონე მდგომარეობაშია ნაწილაკთა სასრული ნაწილი. ეს ნაწილაკები ქმნიან ბოზე—აინშტაინის კონდენსატს. დანარჩენი ნაწილაკები ნულისაგან განსხვავებული იმპულსების მდგომარეობაშია. მათი რიცხვი განისაზღვრება (14) ფორმულით, როცა $\mu=0$. $T_c = \frac{3{,}3\hbar^2}{g^{2/3}kM}\left(\frac{N}{V}\right)^{2/3}$ ტემპ-რაზე ბოზე—აინშტაინის კონდენსაცია ქრება. როდესაც $T>T_c$, ნაწილაკთა განაწილება კვლავ გამოისახება (14) ფორმულით, ამ შემთხვევაში $\mu<0$. ბოზე—აინშტაინის სტატისტ. განსაკუთრებული შემთხვევაა წონასწორული ელექტრომაგნ. გამოსხივება, რ-იც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ფოტონებისაგან შედგენილი აირი. ფოტონების რიცხვი არ არის მოცემული სიდიდე. იგი თვით განისაზღვრება თერმოდინ. წონასწორობის პირობით. ამიტომ იმპულსების მიხედვით მათი განაწილება აიწერება (14) ფორმულით, როცა $\mu=0$ (ფოტონის იმპულსი p თავის ენერგიასთან დაკავშირებულია თანაფარდობით: $\epsilon=pc$, სადაც c სინათლის სიჩქარეა ვაკუუმში). ბოზე—აინშტაინის განაწილების ფუნქციის საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნეს პლანკის ფორმულა წონასწორული გამოსხივების სპექტრისათვის.

სითხეები. სითხეებში ურთიერთქმედება მოლეკულებსა და მათი რხევის ამპლიტუდებს შორის არ შეიძლება მცირედ მივიჩნიოთ, ამიტომ სითხეების თერმოდინ. ფუნქციის გამოთვლა მოითხოვს დამატებით გამამარტივებელ ვარაუდებსა და რთულ გაანგარიშებებს. ვითარება მარტივდება სითხის გადაგვარების ტემპ-რაზე ნაკლები ტემპ-რების დროს. ამ პირობებში სითხის სითბური მოძრაობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მასში ელემენტარული აგზნებების (*კვაზინაწილაკების*) წარმოქმნა. ამ აგზნებებს აქვთ განსაზღვრული დისპერსიის კანონით დაკავშირებული იმპულსი და ენერგია. დაბალ ტემპ-რებზე ეს კვაზინაწილაკები წარმოქმნიან იდეალურ აირს, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვითვალოთ ნივთიერებათა თერმოდინ. ფუნქციები შესაბამის პირობებში.

კრისტალური გისოსი. ს. შ-ის მეთოდების გამოყენება კრისტ. გისოსის თერმოდინ. ფუნქციების გამოსათვლელად შესაძლებელია იმის გამო, რომ გისოსში ატომები ასრულებენ მცირე რხევებს წონასწორული მდებარეობების მახლობლად. ამის გამო გისოსი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული ჰარმონიული ოსცილატორების ერთობლიობა. ასეთ სისტემაში შეიძლება გავრცელდეს ტალღები, რ-ებიც ხასიათდებიან თავისი დისპერსიის კანონით, ე. ი. სიხშირის დამოკიდებულებით k ტალღურ ვექტორზე. კვანტურ მექანიკაში ეს ტალღები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ელემენტარული აგზნებების ან კვაზინაწილაკების — ფონონების— ერთობლიობა, რ-ებსაც აქვთ $\hbar\omega$ ენერგია და $\hbar k$ კვაზიიმპულსი. კვაზიიმპულსის ძირითადი განსხვავება იმპულსისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ფონონის ენერგია არის კვაზიიმპულსის პერიოდული ფუნქცია, რ-ის პერიოდი $\hbar/a$ რიგისაა (a გისოსის პარამეტრია). ფონონების განაწილების ფუნქცია კვაზიიმპულსების მიხედვით გამოისახება ბოზე—აინშტაინის განაწილების ფორმულით (14), რ-შიც μ კვლავ ნულის ტოლად უნდა იყოს მიჩნეული, ხოლო $\epsilon=\hbar\omega$. თუ ცნობილია $\omega(k)$ დამოკიდებულება, შესაძლებელია გისოსის თბოტევადობის გამოთვლა. ეს დამოკიდებულება შეიძლება განისაზღვროს ექსპერიმენტულად — კრისტალზე ნეიტრონების არადრეკადი გაბნევის ცდების შედეგებიდან ან გამოითვალოს თეორიულად გისოსში ატომთა ურთიერთქმედების განმსაზღვრელი „ძალური მუდმივების" გამოყენებით. დაბალ ტემპ-რებზე მნიშვნელოვანია მხოლოდ დაბალსიხშირული ფონონები, რ-ებიც ჩვეულებრივი ბგერითი ტალღების კვანტებს შეესაბამებიან. მათთვის კავშირი ω და k შორის წრფივია, რაც განაპირობებს იმას, რომ გისოსის თბოტევადობა T^3 პროპორციულია. მაღალ ტემპ-რებზე შეიძლება თავისუფლების ხარისხების მიხედვით ენერგიის თანაბარი განაწილების კანონით სარგებლობა, რის შედეგად თბოტევადობისათვის მიიღება ტემპ-რისაგან დამოუკიდებელი $3Nk$ სიდიდე, სადაც N კრისტალში ატომების რიცხვია.

ლითონების თერმოდინ. ფუნქციებში წვლილი შეაქვთ გამტარობის ელექტრონებსაც. ელექტრონის მდგომარეობა ლითონში ხასიათდება კვაზიიმპულსით. ვინაიდან ისინი ფერმიონები არიან, აიწერებიან ფერმი—დირაკის სტატისტიკით და მათი განაწილება კვაზიიმპულსების მიხედვით გამოისახება (14) ფორმულით. ელექტრონული აირის თბოტევადობა (საკმარისად დაბალ ტემპ-რებზე მთლიანად ლითონის თბოტევადობაც) T პროპორციულია. ლითონებში ელექტრონული აირი თავისუფალი ნაწილაკების ფერმი-აირისაგან იმით განსხვავდება, რომ ფერმის ზედაპირი, რ-თანაც თავმოყრილია „აქტიური" ელექტრონების უმეტესი ნაწილი, ლითონებში უკვე აღარ არის სფერული და კვაზიიმპულსთა სივრცეში შეიძლება საკმარისად რთული ფორმა მიიღოს.

ზეგამტარებში ელექტრონების აგზნებული მდგომარეობები გამოყოფილია ფერმის ზედაპირისაგან სასრული სიგანის ღრეჩოთი, რაც იწვევს ელექტრონული თბოტევადობის ექსპონენციალურ დამოკიდებულებას ტემპ-რაზე.

ფერომაგნ. და ანტიფერომაგნ. ნივთიერებების თერმოდინ. ფუნქციებში წვლილი შეაქვთ მაგნ. მომენტების რხევებს — სპინურ ტალღებს.

არაწონასწორულ მაკროსკოპულ პროცესებს შეისწავლის ს. შ-ის დარგი — *ფიზიკური კინეტიკა*.

ს. შ-ის განვითარების შესახებ იხ. სტ. *ფიზიკა*.

ლიტ.: Анселъм А. И., Основы статистической физики и термодинамики, М., 1973; Больцман Л., Лекции по теории газов, пер. с нем., М., 1956; Вилсон Э., Статьи и речи, [пер. с нем.], М., 1970; Гиббс Дж., Основные принципы статистической механики, пер. с англ., М.—Л., 1946; Ландау Л. Д., Лифшиц Е. М., Теоретическая физика, 2 изд., т. 5, М., 1964.

სტატისტიკური შეფასება, დაკვირვებათა შედეგების ფუნქცია, რ-საც იყენებენ განაწილების ან მისი პარამეტრების მიახლოებით განსაზღვრისათვის. თუ $X_1,\ldots,X_n$ არის θ პარამეტრზე დამოკიდებული F_θ განაწილების მქონე X შემთხვევით სიდიდეზე n დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგები, მაშინ θ პარამეტრის ს. შ. წარმოადგენს $\theta_n=\theta_n(X_1,\ldots,X_n)$ ფუნქციას. მაგ., თუ X-ს აქვს *ნორმალური განაწილება* უცნობი a და σ^2 პარამეტრებით, მაშინ უკანასკნელთა ს. შ-ებია, შესაბამისად, $\bar{X}=(X_1+\cdots+X_n)/n$ ემპირიული საშუალო და $s^2=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}(X_i-\bar{X})^2$ ემპირიული დისპერსია. ს. შ-ებს განასხვავებენ მათი ალბათური ხასიათის მიხედვით. თუ E_θ აღნიშნავს მათ. ლოდინს ფიქსირებული θ-თვის, მაშინ $E_\theta\,\theta_n=\theta$ იგივეობის შესრულებისას θ_n ჩაუნაცვლებელი ს. შ. ეწოდება. თუ აღმოჩნდა, რომ ყოველი θ-სთვის θ_n ალბათურად მიისწრაფვის θ-კენ (იხ. *ალბათობის თეორია*), მაშინ θ_n ძალმოსილი ს. შ. ჰქვია. შეფასების სიზუსტეს ზომავს $E_\theta(\theta_n-\theta)^2$ სიდიდე. ჩაუნაცვლებელი შეფასებებისათვის საკმაოდ ვრცელ პირობებში არსებობს ამ სიდიდის მინიმუმი. თუ θ_n-თვის ეს მინიმუმი მიიღწევა, θ_n ეფექტური ს. შ. ეწოდება. მოყვანილ მაგალითში $\bar{X}$ არის ჩაუნაცვლებელი, ძალმოსილი და ეფექტური ს. შ. s^2 ძალმოსილი, თუმცა ჩაუნაცვლებულია. მას დიდი n-ებისათვის ე. წ. ასიმპტოტური ეფექტურობა ახასიათებს.

ს. შ-თა აგების კლასიკური მეთოდია *უმცირეს კვადრატთა მეთოდი*, ე. წ. მომენტთა მეთოდი გულისხმობს შეფასებებად X შემთხვევითი სიდიდის მომენტების (იხ. სტ. *შემთხვევითი სიდიდის მახასიათებლები*) და შესაბამისი ემპირიული მომენტების გატოლებით მიღებულ განტოლებათა ამონახსნების მიღებას. ე. წ. დასაჯერობის მაქსიმუმის მეთოდის თანახმად, პარამეტრების შეფასებებად აირჩევა ისეთი ფუნქციები, რ-ებიც დაკვირვებათა მოცემული მწკრივის მიღების ალბათობას მაქსიმუმს ანიჭებენ.

რიცხვითი θ პარამეტრის შესაფასებლად ხშირად აგებენ დაკვირვებათა ორ ფუნქციას, θ_n' და θ_n'', რ-თაგან პირველი მეორეს არ აღემატება და (θ_n',θ_n'') ინტერვალი მოცემული p ალბათობით ფარავს უცნობ θ პარამეტრს. ამ ინტერვალს სანდო ინტერვალს უწოდებენ, ხოლო p რიცხვს — ნდობის კოეფიციენტს.

აგებენ აგრეთვე ე. წ. არაპარამეტრულ ს. შ-ს. განაწილების ფუნქციის არაპარამეტრული შეფასებაა *ემპირიული განაწილების* ფუნქცია, სიმკვრივისა კი — ჰისტოგრამა.

ხშირად ტერმ. „ს. შ." გაიგება, როგორც ს. შ.-თა აგების პროცესი.

თ. შერვაშიძე. რ. ჩიტაშვილი.

სტატისტიკური წონასწორობა, ჩაკეტილი სტატისტიკური სისტემის მდგომარეობა, რ-შიც მდგომარეობის დამახასიათებელი ყველა ფიზიკური სიდიდის საშუალო მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული დროზე. ს. წ. სტატისტ. ფიზ. ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. იგი ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც *თერმოდინამიკური წონასწორობა* თერმოდინამიკაში. მკაცრი გაგებით, ს. წ. არ წარმოად-

გენს მექანიკურ წონასწორობას, რადგან სისტემაში ამ დროს არ წყდება მცირე ფლუქტუაციები. ს. წ-ის თეორია მოცემულია *სტატისტიკურ ფიზიკაში*, რ-იც აღწერს მას სხვადასხვა *გიბზის განაწილების* (მიკროკანონიკური, კანონიკური ან დიდი კანონიკური) მეშვეობით გარემოსთან სისტემის კონტაქტის ტიპის მიხედვით.

სტატოლითები (ბერძნ. statos — უძრავი და lithos—ქვა), 1. იგივეა, რაც *ოტოლითები*; 2. სახამებლის წვრილი მოძრავი მარცვლები მცენარის უჯრედებში.

სტატორეცეპტორები (ბერძნ. statos—უძრავი და *რეცეპტორები*), რეცეპტორები, რ-ებიც პასუხობენ სივრცეში სხეულის მდებარეობის შეცვლაზე. უმდაბლეს უხერხემლოებს ს. *სტატოცისტებში* აქვთ, თევზებსა და ზოგ ამფიბიას — გვერდითი ხაზის ორგანოებში. ხერხემლიანებისა და ადამიანის ს-ის ფუნქციას ასრულებს *ვესტიბულური აპარატი* და *მხედველობის ორგანოები*, აგრეთვე კანის საფარვლის ექსტერორეცეპტორები, კუნთების, მყესების, სახსრებისა და იოგების *პროპრიორეცეპტორები*.

სტატორი (ინგლ. stator < ლათ. sto—ვდგავარ) ელექტრომანქანისა, ელექტრული მანქანის უძრავი ნაწილი, რ-იც ასრულებს *მაგნიტსადენისა* და მზიდი კონსტრუქციის ფუნქციებს; შედგება გულარისა და სადგარისაგან. გულარს ამზადებენ ელექტროტექ. ფოლადის 0,35—0,5 *მმ* სისქის ფურცლებისაგან, ხოლო გულარის კილოებში აწყობენ სტატორის გრაგნილს. *სახაზო ძრავაში* სტატორის გულარი გაშლილია წრფივად.

სტატორი ჰიდროტურბინისა, ჰიდროტურბინის საძირკვლის ნაწილი, რ-ის დანიშნულებაა ჰიდროაგრეგატის მასისაგან მიღებული დატვირთვისა და წყლის წნევის გადაცემა პესის შენობისათვის. ს-ს დგამენ ჰიდროტურბინის სპირალური კამერის შიგნით. ფოლადის სპირალური კამერის მქონე ჰიდროტურბინის ს-ს აქვს ზედა და ქვედა სარტყელები, რ-ებზეც ხისტად ამაგრებენ მის გამდინარე ნაწილში დადგმულ სვეტებს. ქვედა სარტყელს აბეტონებენ. მსხვილი ტურბინისათვის გამიზნულ ს-ს ჩვეულებრივ შენადულს ამზადებენ.

სტატოცისტები (ბერძნ. statos — უძრავი და kystis — ბუშტი), 1. უხერხემლოების წონასწორობის შეგრძნების ორგანოები. ს. ბუშტუკია, შექმნილი კანის ეპითელიუმის უჯრედებისაგან, რ-თა შორის ჩართულია წამწამებიანი მგრძნობიარე უჯრედები. ს-ის ღრუ ამოვსებულია სითხით, რ-შიც ერთი ან რამდენიმე კენჭია (სტატოლითები ანუ *ოტოლითები*). ზოგჯერ ს-ის ტიპის ორგანო გარეთ იხსნება. ს. აქვთ ნაწლავღრუიანების, მოლუსკების, ჭიების, კიბოსნაირების უმეტესობას. ძლიერ გართულებული ს-ია ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ყურის აპკოვანი ლაბირინთიც; 2. მცენარეული უჯრედები, რ-ებშიც წარმოიქმნება სახამებლის წვრილი მოძრავი მარცვლები — სტატოლითები. *ლ. ნათაძე.*

სტატუა (ლათ. statua), *ქანდაკების* ერთ-ერთი ძირითადი სახეობა. ადამიანის ან ცხოველის ფიგურა, ჩვეულებრივ, დგამენ პოსტამენტზე. მცირე ფორმის ს-ებს, რ-ებსაც იყენებენ ინტერიერების მოსართავად, სტატუეტებს უწოდებენ.

სტატუსი (ლათ. status — მდგომარეობა), სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირის, მოქალაქის ან *იურიდიული პირის* სამართლებრივი მდგომარეობა.

სტატუს-კვო (ლათ. status quo, სიტყვასიტყვით — მდგომარეობა, რომელშიც), საერთაშორისო სამართალში ტერმინი, რ-იც გამოიყენება განსაზღვრული დროისათვის არსებული ფაქტობრივი, სამართლებრივი მდგომარეობის აღსანიშნავად, რ-ის აღდგენაზე ან შენარჩუნებაზეც არის ლაპარაკი.

სტატუტები მუშების შესახებ, მუშათა კანონმდებლობა, კანონები და დადგენილებები, რ-ებიც განსაზღვრავდა დაქირავებული მუშის ხელფასის ოდენობას, სამუშაო დღის ხანგრძლივობას და სხვ. XIV—XIX სს. ევრ. მთელ რიგ ქვეყნებში. პირველი ს. მ. შ. გამოიცა ინგლისში 1349, როდესაც შავი ჭირის ეპიდემიის (1348—49) შედეგად მკვეთრად შემცირდა მუშახელის რაოდენობა და სტიქიურად გაიზარდა ხელფასი; ყველა (12-იდან 60 წლის ასაკამდე), ვისაც არ გააჩნდა საკუთარი მიწა და სხვა საარსებო საშუალება, მოვალე იყო ემუშავა ქირით, მაგრამ იმ ფასად, რ-იც ჭირის ეპიდემიამდე არსებობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში პატიმრობა ემუქრებოდა. დიდ ბრიტანეთში ს. მ. შ. ოფიციალურად 1813 გაუქმდა.

სტატუტი (გვიანდ. ლათ. statutum<ლათ statuo — ვადგენ, ვწყვეტ), 1. დებულება, რ-იც განსაზღვრავს ცალკეული შინასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობასა და წესს (მაგ., გაეროს *საერთაშორისო სასამართლოს* სტატუტი). 2. დებულება რისამე შესახებ (მაგ., მთავრობის ორდენის ს.). 3. წესდება, რ-იც შეეხება შუა საუკ. ქ-ებსა და შინასაქალაქო გაერთიანებებს (საამქროებს, სავაჭრო გილდიებსა და სხვ.), 4. პარლამენტის საკანონმდებლო აქტის სახელწოდება დიდ ბრიტანეთში; მაგ., *უესტმინსტერის სტატუტი*, აშშ-ში — კონგრესის ზოგიერთი აქტის სახელწოდება.

სტაფაჟი (გერმ. Staffage < staffieren — სურათის შემკობა ფიგურებით), პეიზაჟის ამსახველ ნაწარმოებში ადამიანთა ან ცხოველთა ფიგურები, რ-თაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და მხოლოდ სურათის გასაცოცხლებლად არიან ჩახატული. გავრცელებული იყო XVI—XVII სს-ში. ხშირად პეიზაჟის ამსახველ სურათებში ს. შეჰქონდა არა ავტორს, არამედ სხვა მხატვარს.

სტაფილო (Daucus), მცენარის გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. ორწლოვანი, იშვიათად ერთ- ან მრავალწლოვანი მცენარეა. აქვს მრავალგზის ფრთისებრ განკვეთილი ფოთლები. ცნობილია ს-ს 60-მდე სახეობა. უფრო გავრცელებულია ორწლოვანი მცენარე — კულტურული ს. (D. sativus, D. carota), რ-იც იყოფა სასუფრე და საკვებ ს-დ. ს. პირველ წელს ივითარებს ფოთლების როზეტსა და ძირხვენას, მეორე წელს — საყვავილე ღეროს. საკვები ს-ს ძირხვენა ხორციანია, ფერად თეთრი, ყვითელი ან მუქი იისფერი, ფორმით მომრგვალო-ცილინდრული, კონუსისებრი ან თითისტარისებრი; სიცივე- და გვალვაგამძლეა; მოითხოვს ნეშომპალით მდიდარ ქვიშნარ და თიხნარ ნიადაგებს. თესავენ ერთ მწკრივად ან ზოლებად. სასუფრე ს. შეიცავს (საშ. %-ობით) — 88,8 წყალს, 1,1 აზოტოვან ნივთიერებებს, 0,2 ცხიმს, 9,2 ნახშირწყლებს, 0,7 ნაცარს; მდიდარია A, B, B_2, PP ვიტამინებით; იყენებენ კულინარიაში. ცხოველთა საუკეთესო საკვებია. სსრკ-ში დარაიონებული ჯიშები: „მოსკოვური ზამთრისა A-515", „ნანტური 4" და სხვ.; საქართველოში — ნანტური, გორული, გერანდა და სხვ. *გ. კვაჭაძე.*

სტაფილოკოკები (ბერძნ. staphylē — ყურძნის მტევანი და *კოკები*), სფერული კოკების გვარი, გრამდადებითი უძრავი ბაქტერიები. მათი უჯრედები (დიამეტრი 0,6—0,8 *მკმ*) სპორებს არ ქმნიან. მრავლდებიან სხვადასხვა სიბრტყეში დაყოფით. ახ. უჯრედები ერთმანეთთან დაკავშირებული რჩებიან და წარმოქმნიან გრაგვას, რ-იც ყურძნის მტევანს წააგავს. შეიძლება განლაგდნენ თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად. კარგად იზრდებიან ხორცის პეპტონურ აგარზე, კარტოფილზე. ს-ს შეუძლიათ სხვადასხვა ტოქსიკური პროდუქტის — ჰემოლიზინის (წლის ერითროციტებს), ლეკოციტინის (წლის ლეკოციტებს), ფიბრინოლიზინის (წლის ფიბრინის კოლტებს) წარმოქმნა. ს. პათოგენური ბაქტერიებია — იწვევენ ჭრილობის დაჩირქებას, აბსცესს, ძირმაგარებს, ანგინას, კანის ანთებით დაავადებებს, სეფსისს; ოქროსფერმა ს-მა, რ-იც წარმოქმნის ენტეროტოქსინებს, შეიძლება გამოიწვიოს მძიმე კვებითი მოწამვლა. ს-ს გამოყოფენ ჩირქიდან, ჯანსაღი კანიდან და ლორწოვანი გარსებიდან, ოთახის მტვრიდან და სხვ.

სტაფილოკოკოზი ფრინველისა, მიკროკოკოზი ფრინველისა, ყველა სახეობის ფრინველის ინფექციური დაავადება, რ-საც იწვევს სტაფილოკოკი. დაავადება გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ინფექციის წყაროა დაავადებული ფრინველი. გადადის საკვებით, ქვეშსაფენით, წყლით. დაავადების ნიშნებია მაღალი ტემპ-რა, ფაღარათი, სახსრების ანთება, სიკოჭლე. დაავადება 2—4 ან 10—14 დღეს გრძელდება. დაავადებული ფრინველის 80—90% იღუპება. მკურნალობა: ანტიბიოტიკები. პროფილაქტიკა: ვეტსანიტ. წესების დაცვა, დაავადებული ფრინველის დაკვლა, შენობის დეზინფექცია. *დ. კანანაძე.*

სტაშეკი (Stašek) ანტალ [ნამდვ. სახელი და გვარი ანტონინ ზემანი (Zeman)] (22. VII. 1843, სოფ. სტანოვი, ილემნიცეს მახლობლად, — 9. X. 1931, პრაღა), ჩეხი მწერალი. იმოგზაურა რუსეთში (1874—75, 1889, 1897). 60—70-იანი წწ. რომანტ. ლექსებში უმღერის ჩეხიის ეროვნ.-განმათ. ბრძოლის გმირებს. ავტორია რეალისტური რომანებისა („ამღვრეულ მორევში", 1900; „ხარაზ მატოუშსა და მის მეგობრებზე", 1927 და სხვ.), რ-ებშიც აისახა ჩეხი მშრომელების ცხოვრება და ბრძოლა.

სტაცია (ლათ. statio — დგომა, ადგილსამყოფელი) (ბიოლ.), 1. *პოპულაციის* ადგილსამყოფელი; 2. ადგილსამყოფელის ნაწილი, რ-საც იყენებს ცხოველი ან ცხოველთა სახეობა განსაზღვრულ პერიოდში ან ერთი განსაზღვრული ფუნქციისათვის. განასხვავებენ დღის, ღამის, სეზონურ, გამრავლების, კვების, არახელსაყრელი პირობების გადატანისა და, ბოლოს, განსახლების (ხელსაყრელი პირობების დადგომისას) ს-ებს.

სტაციონარი (<ლათ. stationarius — ადგილზე მდგომი, უძრავი), 1. სამკურნალო დაწესებულება, რ-საც აქვს მუდმივი საწოლები ავადმყოფებისათვის (ამბულატორიისაგან, პოლიკლინიკისაგან განსხვავებით); საავადმყოფო. 2. ფართო გაგებით — მუდმივად მოქმედი დაწესებულება მაგ., ბ-კა, თეატრი და სხვ. (შეიძლება იყოს მოძრავი); 3. უძრავი საფუძველი რომელიმე მანქანის ან ნაგებობის ფუნდამენტი.


სტაციონარული მდგომარეობა ფიზიკაში, ფიზიკური სისტემის მდგომარეობა, რ-ის დროსაც მისი მახასიათებელი ზოგიერთი სიდიდე (რ-იც სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა) დროის მიხედვით არ იცვლება. მაგ., მერხევი სისტემა ს. მ-შია, თუ რხევის ამპლიტუდა და სიხშირე დროში უცვლელია. სითხის ნაკადის მდგომარეობა სტაციონარულია, თუ მოძრაობის სიჩქარე და სხვა მახასიათებლები სივრცის ყოველ წერტილში უცვლელი რჩება. კვანტურ მექანიკაში ს. მ-ს უწოდებენ მდგომარეობას, რ-შიც ენერგიას განსაზღვრული და დროის მიხედვით უცვლელი მნიშვნელობა აქვს. თერმოდინამიკაში ს. მ-ის შესახებ იხ. *ლია სისტემა*. სისტემის მდგომარეობას კვაზისტაციონარულს უწოდებენ, თუ სიდიდეები, რ-თა მუდმივობის დროს იგი იქნებოდა სტაციო-




სტატორი ელექტრომანქანისა. 8 მეგვტ-მდე სიმძლავრის ცალადი დენის ელექტრული მანქანის სტატორი.



სტაფილო: 1—ყვავილედი (ქოლგა); 2—ყვავილი; 3—ნაყოფი; 4—ნაყოფის ჭრილი.




სტაფილოს ჯიშები: 1—გერანდა; 2—ნანტური; 3—შანტენე; 4—ვალერია.



ვ. სტეინიცი



თ. სტეინლენი. ავტოპორტრეტი. ლითოგრაფია. 1905.



თ. სტეინლენი. „კატები". ფერადი ლითოგრაფია. 1894.

ვ. სტეპლოვი.

ნარული, სინამდვილეში ნელა იცვლება დროის მიხედვით. ამასთან, სისტემის სხვადასხვა თვისებას შორის თანაფარდობა დაახლ. ისეთივე რჩება, როგორც ს. მ-ში.

სტაციონარული ფერტილი (ან წირი), წერტილი (წირი), რ-შიც ფუნქციის დიფერენციალი (ფუნქციონალის ვარიაცია) ნულის ტოლია. ერთი ცვლადის $y=f(x)$ ფუნქციისათვის ამ ფუნქციის გრაფიკის ს. წ-ში გავლებული მხები Ox ღერძის პარალელურია, ხოლო $z=f(x,y)$ ორი ცვლადის ფუნქციის ზედაპირის ს. წ-ში გავლებული მხები სიბრტყე კი — xOy სიბრტყისა.

სტაციუსი პუბლიუს პაპინიუს (Statius Publius Papinius) (ახ. წ. 40, ნეაპოლისი, დაახლ. 96), რომაელი პოეტი. მოღვაწეობდა იმპ. დომიციანეს კარზე. მისი სახელით ცნობილია 12 ქების შემცველი პოემა „თებაიდა", დაუმთავრებელი ეპოსი „აქილეიდა" და ლექსების კრებ. „ტყეები" 5 წიგნად. ს-ის თხზულებები გადატვირთულია მითოლ. ამბებითა და რიტორიკით.

სტახანოვი ალექსი გრიგოლის ძე [21. XII. 1905 (3. I. 1906), სოფ. ლუგოვაია, ორიოლის გუბ., — 5. XI. 1977, მოსკოვი], ცნობილი დონბასელი მეშახტე, ნახშირის მრეწვ. ნოვატორი, სოციალ. შრომის გმირი (1970). სკკპ წევრი 1936-იდან. 1927 მუშაობა დაიწყო კადიევკაში (დონბასი), „ცენტრალნაია—ირმინოს" შახტში მემუხრუჭედ, შემდეგ — მწგრეველად. 1935 დაამთავრა მწგრეველთა კურსები. იმავე წლის 30—31 აგვ. დაამყარა რეკორდი, ერთ ცვლაში (5 *სთ.* 45 *წთ*-ში) მოანგრია 102 ტ ნახშირი, რაც 14 კაცის ნორმას უდრიდა. 1935 წ. 19 სექტ. ს-მა დაამყარა ახ. რეკორდი, ცვლაში მოანგრია 227 ტ ნახშირი. ს-ის შრომით მამაცობას ფარ-თოდ გამოეხმაურნენ დონბასში, ხოლო შემდეგ მთელ ჩვენს ქვეყანაში. დაიწყო სტახანოვური მოძრაობა. 1936—41 ს. სწავლობდა მოსკოვში, სამრეწვ. აკადემიაში. 1941—42 იყო ყარაღანდის №№ 31 შახტის უფროსი, 1943—57 მუშაობდა სსრკ ნახშირის მრეწვ. სამინისტროში, ხოლო 1957—59 „ჩისტიაკოვანტრაციტის" ტრესტში მმართველის მოადგილედ, 1959—74 „ტორეზანტრაციტის" ტრესტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1974-იდან პენსიაზეა. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1937—46 წწ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. მის სახელობის მუზეუმი კადიევკას ეწოდა ქ. *სტახანოვი*.

სტახანოვი (1937-მდე და 1940 — 78 კადიევკა, 1937—40 სერგო), ქალაქი (1932-იდან) უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში, მდ. კამიშევახის (ჩრდ. დონეცის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური პოპასნაია—დებალცევოს ხაზზე. 109 ათ. მცხ. (1983). ს. დონბასის ერთ-ერთი დიდი ინდუსტრ. ცენტრია. განვითარებულია ქვანახშირის, მეტალ., ქიმ., და მანქანათაშ. მრეწველობა. არის კოქსქიმ., ქიმ., მეტალ., მანქანათაშ., ვაგონთაშენი, ფეროშენადნობთა, ჰიდრომოწყობილობის ქ-ნები, ნახშირმამდიდრებელი ფ-კა და სხვ. ს-ში არის კომუნარსკის სამთო-მეტალ. ინ-ტის ფილიალი, სამთო ტექნიკუმი, სამედ., პედ. სასწავლებლები. ქალაქის ისტ. მუზეუმი. სახელი ეწოდა ა. *სტახანოვის* პატივსაცემად.

სტახანოვური მოძრაობა სსრ კავშირში, სოციალისტური წარმოების ნოვატორთა — მოწინავე მუშების კოლმეურნეების, ინჟ.-ტექ. პერსონალის მასობრივი მოძრაობა ახალი ტექნიკის ათვისების ბაზაზე შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად; წარმოიშვა II ხუთწლედში როგორც სოციალ. შეჯიბრების ახ. ეტაპი. იგი განაპირობა სოციალ. მშენებლობის მთელმა მსვლელობამ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა, მშრომელთა კულტ.-ტექ. დონისა და მატერ. კეთილდღეობის ამაღლებამ. ტერმ. „ს. მ." ეწოდა მისი წარმოშობის — „ცენტრალნაია—ირმინოს" (დონბასი) შახტის მწგრეველის ა. *სტახანოვის* პატივსაცემად. რ-ის მიღწეულ რეკორდს შემდგომ მისმა მიმდევრებმა გადააჭარბეს 1936. მაგ., ნ. იზოტოვმა შახტში „კოჩეგარკა" (გორლოვკა) მოანგრია 607 ტ ნახშირი ერთ ცვლაში (1936). ს. მ. მოკლე დროში გავრცელდა მრეწვ., ტრანსპ., მშენებლობისა და სოფ. მეურნ. ყველა დარგში.

საქართველოში პირველი სტახანოველები იყვნენ ჭიათურელი მაღაროელები ვ. სამხარაძე და ტ. ფოფხაძე. 1935 წ. 14 ოქტ. ვ. სამხარაძემ ერთ ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 9 ტ-ის ნაცვლად 51 ტ მანგანუმის მადანი მოანგრია, ხოლო ფოფხაძემ იმავე წლის 18 ოქტ. დროის ამავე მონაკვეთში — შვიდი კაცის ნორმა. პირველი სტახანოველები იყვნენ აგრეთვე თბილ. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქ-ნის მჭედელი დ. ჭიჭინაძე, ტყიბულელი მეშახტე ა. კუბლაშვილი, ხარატი ს. ქსოვრელი, ზეინკალი შ. აკოფოვი, ფეიქარი ე. მაზანაშვილი და სხვები. ნოვატორთა შეზოქმედებითი ინიციატივა ახ. ძალით გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის წლებში — სტახანოვურ მეთოდებს იყენებდნენ სახ. მეურნ. ყველა სფეროში. განვითარებულ სოციალ. საზ-ბაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში კვლავ იყენებენ სტახანოველთა მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდებს წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. *გ. ტაბატაძე.*

სტეარინმჟავა, $CH_3(CH_2)_{16}COOH$, ალიფატური რიგის ერთფუძიანი ნაჯერი *კარბომჟავაა*. უფერული კრისტალები, $t_{დნ}$ 69,6°C, $t_{დუღ}$ 376,1°C. ეთერში იხსნება, წყალში — არა. ს. ბუნებაში გავრცელებული ერთ-ერთი უმაღლესი ცხიმოვანი მჟავაა. ს-ს მარილებსა და ეთერებს სტეარატებს უწოდებენ. იგი მრავალი ცხიმისა და ზეთის შედგენილობაში შემავალი *გლიცერიდების* ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ღებულობენ სტეარინიდან წყალადური დალექვით ან დისტილაციით, *ოლეინმჟავათა* ჰიდრირებით და სხვ. მისი ტუტე მარილები *საპნებია*. ს-ს იყენებენ ორგ. სინთეზში, ანალიზურ ქიმიაში, მის ზოგიერთ მარილს კი—პლასტიკურ საპოხად და სხვ.

სტეატოპიგია (ბერძნ. stear, ნათ. ბრ. steatos—ცხიმი და pygē — დუნდულები), ადამიანის დუნდულებზე კანქვეშა ცხიმოვანი ფენის ძლიერი განვითარება. განსაკუთრებით მკვეთრად აქვთ გამოხატული სამხრ. აფრ. ხალხის, უფრო კი ბუშმენებისა და ჰოტენტოტების ქალებს. აქ ს. ქალის სილამაზის მაჩვენებელია. ს-ის წარმოქმნის მიზეზი ჯერ არ არის საბოლოოდ შესწავლილი.

სტებნიცკი იერონიმ ივანეს ძე [30. IX (12. X). 1832, ვოლინის გუბ.,—29. I (10. II). 1897, პეტერბურგი], რუსი გეოდეზისტი, პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1878), ინფანტერიის გენერალი. 1852 დაამთავრა მიმოსვლის გზათა ინჟინერთა კორპუსის ინ-ტი. 1867-იდან იყო კავკ. სამხ.-ტოპოგრ. განყ-ბის უფროსი, 1886-იდან — მთავარი შტაბის სამხ.-ტოპოგრ. განყ-ბის უფროსი. 1860-იდან მონაწილეობდა კავკ., იმიერკასპიის პირეთის და მცირე აზიის ტრიანგულაციასა და კარტოგრაფირებაში; ხელმძღვანელობდა ტრიანგულაციისა და ნიველირების შედეგად მიღებული მასალების დამუშავებას. გამოქვეყნებული აქვს შრომები კავკ. გლაციოლოგიის, ტოპოგრაფიის, გრავიმეტრიის, მოსახლ. გეოგრ. და სხვა საკითხებზე.

სტეგოზავრები (Stegosauria), ფრინველმენჯა დინოზავრების ქვერიგი. ბინადრობდნენ იურულ პერიოდში და ცარცული პერიოდის დასაწყისში. ადრინდ. ს. — სცელიდოზავრები, როგორც ჩანს, უმთავრესად უკანა ფეხებზე დადიოდნენ, უფრო გვიანდ. ს. კი მეორეულად დაუბრუნდნენ 4 ფეხზე სიარულს. ს-ის სიგრძე 6 *მ* აღწევდა. იკვებებოდნენ მცენარეებით. ზურგი და კუდი ზემოდან დაფარული ჰქონდათ ძვლოვანი ეკლებით, ს-ის ნამარხები ნაპოვნია ჩრდ. ამერიკაში, დას. ევროპაში, ჩრდ. და აღმ. აფრიკაში. *გ. მჭედლიძე.*

სტეგოცეფალები (Stegocephalia), ნამარხი ამფიბიები, ჰქონდათ ქალას მთლიანი სახურავი, უმეტესად ძვლოვანი ფარებით მოფენილი ტანი. ბინადრობდნენ დევონური პერიოდიდან მოყოლებული ტრიასული პერიოდის ჩათვლით, ზოგი ს. უფრო თანამედროვე ამფიბიებს უახლოვდება, რის გამოც ს-ის უმეტეს ნაწილს *ლაბირინთოდონტების* ზერიგში აერთიანებენ, ხოლო ტერმ. „ს-ს" აღარ ხმარობენ.

სტევენი (Steven) ხრისტიან ხრისტიანის ძე [19 (30). I. 1781, ფრიდრიხსჰამნი, ახლანდ. ქ. ჰამინა, ფინეთი, — 18 (30). IV. 1863, სიმფეროპოლი], რუსი ბოტანიკოსი და ენტომოლოგი. წარმოშობით შვედი. პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1849). დაამთავრა პეტერბ. სამედ. ქირურგ. აკადემია (1799). იყო მეაბრეშუმეობის ინსპექტორი კავკასიაში (1800). 1804—05 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. 1812 ჩამოაყალიბა ნიკიტას ბოტან. ბაღი ყირიმში და მისი დირექტორი იყო 1824-მდე. ს-ის უმთავრესი ნაშრომები ეხება ყირიმისა და კავკ. ფლორის შესწავლას, თესლოვანი მცენარეებისა და მწერების სისტემატიკას. კავკასიის შესახებ დატოვა ორი შრომა: ერთი ოფიც. ანგარიში, მეორე ნარკვევი—„მოგზაურობა აღმოსავლეთ კავკასიაში". „მოგზაურობაში" აღწერილია თბილისი, კახეთი, ქართლი და სხვ.; ლაპარაკია ადგილ. ვაჭრობასა და სავაჭრო-სამიმოსვლო გზებზე. დართული აქვს აღმ. კავკასიის იშვიათი მცენარეების კატალოგი.

ლიტ.: Полевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг., Тб., 1946.

სტევინი (Stevin) სიმონ (1548, ბრიუგე, — 1620, ჰააგა), ნიდერლანდელი მეცნიერი და ინჟინერი. 1583-იდან ასწავლიდა ლეიდენის უნ-ტში. 1592 მიიღო ინჟინრის ადგილი, ხოლო შემდეგ *მორის ორანელთან* განაგებდა სამხ. და საფინანსო საკითხებს. 1600 ჩამოაყალიბა საინჟინრო სკოლა ლეიდენის უნ-ტში, სადაც კითხულობდა ლექციებს მათემატიკაში. ს-მა შემოიღო ზომის ათობითი სისტემა და ათწილადების ხმარება ევროპაში.

მექანიკაში ს-მა დაამტკიცა დახრილ სიბრტყეზე სხეულთა წონასწორობის კანონები. ჩამოაყალიბა იმ სამი ძალის წონასწორობის პირობა, რ-ებიც წარმოქმნიან ჩაკეტილ სამკუთხედს. შრომები აქვს აგრეთვე ჰიდროსტატიკის, ნავიგაციის, ტექ. და სამხ.-საინჟინრო საკითხებზე.

სტეინიცი (Steinitz) ვილჰელმ (14 V. 1836, პრაღა, — 12. VIII. 1900, ნიუ იორკი), მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ჭადრაკში (1886—94), ჭადრაკის თეორეტიკოსი. განათლება მიიღო პრაღასა და ვენაში. 1862—63 ცხოვრობდა ლონდონში. 1884-იდან—აშშ-ში. დიდი წარმატებით გამოდიოდა საერთაშ. ტურნირებში. 1886 ი. ცუკერტორტთან მატჩში გამარჯვების შემდეგ (+10, —5), ს. ოფიციალურად გამოაცხადეს მსოფლიო ჩემპიონად. რამდენიმე მატჩი ითამაშა მსოფლიო პირველობაზე. ორჯერ მოუგო *ზ. ჩიგორინს* 1894 მსოფლიოს პირველობაზე მატჩი წააგო ე. *ლასკერთან* (+5, — 10), წააგო მატჩ-რევანშიც (+2, —10) და ჩამორდა აქტ. ჭადრაკს.

ს-მა მეცნ. მიმართულება მისცა ჭადრაკს, დაამუშავა პოზიციური თამაშის თეორია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დაცვას. თავის შეხედულებებს აქვეყნებ

ა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალში International Chess Magazine" (1885 — 1). 1889 ნიუ-იორკში გამოსცა „თანამედროვე ჭადრაკის სახელმძღვანელო".

ლიტ.: ეიგე ზ., ჭადრაკის ლექციების კურსი, თბ., 1948; Левидов М. Ю., Стейниц, Ласкер, М., 1936; Нейштадт И., Первый чемпион мира, М., 1971.

ვ. აბაშიძე.

ტეინლენი (Steinlen) თეოფილ ლექსანდრ (10. XI. 1859, ლოზანა, — 4. XII. 1923, პარიზი), ფრანგი გრაფიკოსი. შვეიცარიის მკვიდრი. დაამთავრა ლოზანის სამხატვრო სკოლა. 1882-იდან ცხოვრობდა პარიზში. ძირითადად მიმართავდა ლითოგრაფიის ტექნიკას. თანამშრომლობდა სოციალ. ჟურნალებში, ფორმებდა წიგნებს (ა. ბრიუანის „ქუჩაში", 1888), იყო ო. *დომიეს* ტრადიციების მიმდევარი. ს-ის ნაწარმოებების თემა იყო სოც. უსამართლობა, ომის საშინელება, ხალხის რევ. ბრძოლა („გაფიცვა", 1898, ლითოგრაფია; „ლტოლვილნი", 1916, ოფორტი). ს. ცნობილია როგორც კარიკატურისტი და პლაკატის ოსტატი.

ტეკლოვი ვლადიმერ ანდრიას ძე [28. III. 1863 (9. I. 1864), ნიჟნი-ნოვგოროდი, ახლანდ. გორკი, — 30. V. 1926, ციხიმი, დასაფლავებულია ლენინგრადში], პარტ. მათემატიკოსი, აკადემიკოსი (1912). 1919—26 სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი. 1887 დაამთავრა ხარკოვის უნ-ი. 1889—1906 მუშაობდა ხარკოვის უნ-ის მექან. კათედრაზე (1896-იდან პროფესორი). 1893—1905 თეორ. მექანიკას ასწავლიდა ხარკოვის ტექნოლ. ინ-ტში. 1906 მუშაობა დაიწყო პეტერბ. უნ-ტში. წეოდა დიდ სპ. და სამეცნ.-საორგანიზაციო მუშაობას. მისი ინიციატივით იქმნა მეცნ. აკად. ფიზ.-მათ. ინ-ტი 1921), რ-ის დირექტორიც ის იყო გარდაცვალებამდე. 1926 ფიზ.-მათ. ინ-ტს მიენიჭა ს-ის სახელი; 1934 ინ-ტი გაიყო ორ ინ-ტად, რ-თაგან ერთმა, მათ. ინ-ტმა, ასევე ს-ის სახელი.

მისი შრომების დიდი ნაწილი ეძღვნება მათ. ფიზიკას. ს-მა მნიშვნელოვანი შეტანები შეიტანა პოტენციალთა თეორიაში, რამაც მისცა საშუალება წინასწარ მოეცა ისეთი ორთოგონალური სისტემების მიმართ ფუნქციების გაშლის საკითხები. ამ საკითხებთან დაკავშირებით განავითარა კლაინის ორთოგონალური მრავალწევრებისათვის ასიმპტოტური გამოსახულების მიღების მეთოდი, რ-იც ლიუვილ-სტეკლოვის მეთოდის სახელითაა ცნობილი; შეიტანა ფუნქციების გაგლუვების ახალი მეთოდი (სტეკლოვის ფუნქცია).

ს-ს შრომები აქვს აგრეთვე მათ. ისტორიაში, ფილოსოფიაში და სხვ.

ლიტ.: Памяти В. А. Стеклова. Сб. ст., Л., 1928 (ბიბლიოგრ.); Владимиров В. С., Маркушевич А. И., Академик В. А. Стеклов, М., 1973 (ბიბლიოგრ.).

ტელა (ლათ. stela<ბერძნ. stēlē — ბოძი, სვეტი), ქვასვეტი, ვერტიკალურად მდგარი ქვის სვეტი, რ-ზედაც ქრის წარწერა ან რელიეფური გამოსახულება. ძველად, კერძოდ ანტ. საბერძნეთში, იყენებდნენ საფლავის ქვად, სამიჯნეშნად, რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის უკეთესადაყოფად. ფართოდ გავრცელდა შუა საუკ. საქართველოში (ბურდაძოების, კატაულის და სხვ. ს-ები). თანამედროვე ხელოვნებაში გამოიყენება საფლავის ქვად, ასევე სხვადასხვა მნიშვნელობის ქონე ძეგლად.

ტელა (ლათ. stela < ბერძნ. stēlē — ბოძი, სვეტი) ბოტანიკაში, უმალეს მცენარეთა ღეროსა და ფესვის ცენტრალური ანუ ღერძული ნაწილი, რ-იც ედგება გამტარი და მექან. ქსოვილებისგან და გარემოცულია პირველადი ქერქით. იგივეა, რაც ღერძული ანუ *ცენტრალური ცილინდრი.* ს-ს აგებულების ტიპების შესახებ იხ. სტ. *სტელარული თეორია.*

სტელარული თეორია, მოძღვრება უმაღლესი მცენარეების *სტელას* (ცენტრალური ცილინდრის) აგებულებისა და ევოლუციის შესახებ. სტელას უმეტეს ნაწილს შეადგენს *გამტარი ქსოვილი:* ქსილემა (მერქანი) და ფლოემა (ლაფანი). მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე *პერიციკლი,* გულგულის სხივები და გულგული. სტელას გარს აკრავს პირველადი ქერქი.

მოძღვრება სტელაზე, როგორც ერთიან გამტარ სისტემაზე, შექმნეს ფრანგმა ბოტანიკოსებმა ვან ტიგემმა და ა. დულიომ (1886). მათ მოგვცეს სტელის ტიპების პირველი კლასიფიკაცია, რ-იც ეყრდნობა თანამედროვე მცენარეების აგებულებას. ინგლ. ბოტანიკოსმა გ. ბრებნერმა (1902), ამერ. ე. ჯეფრიმ (1903, 1917) და მისმა მოწაფეებმა გაამარტივეს ვან ტიგემის რთული კლასიფიკაცია თანამედროვე და ნამარხი მცენარეების შედარებითი ანატ. საფუძველზე, შემოიტანეს ფოთლის ლაკუნების ცნება. ს. მ. შემდგომ გააღრმავეს გერმ. მეცნ. ვ. ციმერმანმა, საბჭ. ბოტანიკოსებმა კ. მეიერმა, ა. *ტახტაჯიანმა.*

სტელას საწყის ტიპად, რ-იც დამახასიათებელია უძველესი უმაღლესი მცენარეებისათვის —ფსილოფიტებისათვის (რინია), პროტოსტელას მიიჩნევენ. იგი მთლიანი ცენტრ. ცილინდრია, შიგნით განლაგებულია ქსილემა, რ-საც შემოვლებული აქვს ფლოემა. პროტოსტელამ დასაბამი მისცა სტელის დანარჩენ ტიპებს. თანამედროვე ფლორაში პროტოსტელა ახასიათებს ლიკოპოდიუმისნაირებისა და გვიმრების ზოგიერთ წარმომადგენელს და თითქმის ყველა მცენარის ფესვს. პროტოსტელა ორგვარია: შედარებით პრიმ. ჰაპლოსტელა (შედგება პირველადი ქსილემის ცენტრ ჯონისაგან, რ-საც ფლოემა ერტყმის გარს) და უფრო გართულებული აქტინოსტელა (სტელა რადიალური ნაკვთებით — სხივებით). აქტინოსტელა ახასიათებდა დევონური პერიოდის ასტეროქსილონს, აქვს ზოგიერთ ლიკოპოდიუმისნაირსაც. აქტინოსტელას შემდგომი სპეციალიზაციის შედეგია პლექტოსტელა, რ-იც უმეტეს ლიკოპოდიუმისნაირებს ახასიათებს. პლექტოსტელაში ქსილემა დაყოფილია ერთმანეთის პარალელურ ან რადიალურად განწყობილ ცალკეულ ფირფიტებად.

სტელას ევოლუციაში დიდი როლი ითამაშა გულგულის ჩამოყალიბებამ და გამტარი ქსოვილის ვიტალიზაციამ — მასში ცოცხალი პარენქიმული უჯრედების წარმოქმნამ. პროტოსტელამ საწყისი მისცა სიფონოსტელას. სიფონოსტელა მილისებრია, რ-ის ცენტრში პარენქიმული ქსოვილი ანუ გულგულია. სიფონოსტელას შემდგომი ევოლუციის შედეგად თვით გამტარ ცილინდრში წარმოიქმნება პარენქიმული მონაკვეთები — ლაკუნები, რ-თა საშუალებით მყარდება მუდმივი კავშირი ქერქსა და გულგულს შორის. გვიმრანაირებს ახასიათებს სიფონოსტელას სხვადასხვა ტიპი. ბადისებურად ან სიგრძივ კონებად დაყოფილ სიფონოსტელას დიქტიოსტელა ჰქვია, გამტარი ქსოვილის ორი ან მეტი კონცენტრული ცილინდრით შედგენილ სტელას — პოლიციკლური სიფონოსტელა. შვიტებსა და ზოგ მათ მონათესავე ჯგუფში განვითარდა ე. წ. ართროსტელა. სიფონოსტელას დაყოფით წარმოიქმნა ეუსტელა, რ-იც თესლოვან მცენარეთა უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი. მთელი რიგი ბალახოვანი ორლებნიანებისა და ერთლებნიანების უმეტესობის სტელა ატაქტოსტელას სახით ყალიბდება. ატაქტოსტელა ეუსტელას დანაწევრების შედეგად განვითარდა და ცენტრ. ცილინდრის მეტად სპეციალიზებულ ფორმას წარმოადგენს.

სტელას ევოლ. განვითარების ასახსნელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლ. მეცნ. ფ. ბოუერის შრომას (1930) გამტარი სისტემის ევოლუციაში მოცულობისა და ზედაპირის შეფარდების შესახებ.

ხმელეთის მცენარეების ისტ. განვითარებისას სტელა თანდათან იზრდებოდა, თუ ამასთანავე არ შეიცვლებოდა მისი ფორმაც, მაშინ ქსილემის ზედაპირის შეფარდება მის მოცულობასთან შემცირდებოდა, ეინაიდან სხეულის მოცულობა იზრდება მისი სიგრძივი ზომების კუბის, ხოლო ზედაპირი კი — კვადრატის პროპორციულად. ეს კი უარყოფითად იმოქმედებდა ღეროს წყალგამტარ სისტემასა და ცოცხალი ქსოვილის შეფარდებაზე. ამრიგად, სტელას ორგანიზაციის გართულება და ზომაში მატება უნდა განვიხილოთ, როგორც შეგუება ნორმალური ფიზიოლ. ფარდობითობის დაცვისათვის. სტელას არქიტექტონიკის გართულება მცენარისათვის ხელსაყრელია მექან. თვალსაზრისითაც.

ზ. ლეონიანიძე.

სტელინგის აჯანყება [Stellinga <ძვ. საქსონური stel — ძველი და ling (მრ. რ. linga) — ვაჟი, შთამომავალი], საქსონიის გლეხების აჯანყება 841—843. აჯანყებულთა მთავარ მასას შეადგენდნენ მოსული ფრანკი ფეოდალებისა და ადგილობრივი საქსონიელი წარჩინებულების მიერ დაყმევებული თავისუფალი *საქსები* (ფრილინგები) და სოფლის ნახევრადთავისუფალნი (*ლეტები*). აჯანყება მიმართული იყო ფრანკი ფეოდალებისა და ადგილ. საქსი დიდებულების (ედელინგები) წინააღმდეგ. აჯანყებულები (შუა საუკ. ქრონისტების თქმით, „ძველი კანონის შვილები") მოითხოვდნენ ძვ. (ფეოდალიზმამდელი) წესების აღდგენას, ილაშქრებდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ, „მათ განდევნეს ქვეყნიდან თითქმის ყველა ბავიანთი ბატონი და ძველებურად დაიწყეს ცხოვრება". აჯანყება *ლუდვიგ გერმანელმა* ჩაახშო საქს დიდებულებთან ერთად.

სტელმახი მიხეილ ათანასეს ძე [11 (24). V. 1912, სოფ. დიაკოვცი, ახლანდ. ვინიცის ოლქი, — 27. IX. 1983], უკრაინელი საბჭ. მწერალი. სოციალ. შრომის გმირი (1972), უკრ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1978). ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1936. ეკუთვნის ტრილოგია: „დიდი ნათესაობა" (1949—50; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), „ადამიანის სისხლი წყალი როდია" (1957), „პური და მარილი" (1959). ტრილოგია მთლიანად ითარგმნა რუს. ენაზე და 1961 მიენიჭა ლენინური პრემია; რომანები „სიმართლე და ყირუე" (1961). „ფიქრი შენზე" (1969), „ოთხი ფონი" (1979) და სხვ. ს-ის თხზულებანი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. სსრკ VI—X მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

სტემფორდი (Stamford), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ახალ ინგლისში, კონექტიკუტის შტატში, ლონგ-აილენდის სრუტის ჩრდ. ნაპირზე. 102 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 197 ათ. (1980). ელექტრონული გამომთვლელი მანქანების, ბურთულასაკისრების, სამრეწვ. მოწყობილობის წარმოება; ქიმ., რეზინის, მსუბუქი მრეწველობა. დაარსდა 1641.

სტენბერგები, ძმები, ვლადიმერ ავგუსტის ძე [დ. 23. III (4. IV). 1899, მოსკოვი] და გიორგი ავგუსტის ძე [7 (20). X. 1900, მოსკოვი, — 14. X. 1933, იქვე], საბჭ. გრაფიკოსები, დიზაინერები, გაფორმებითი ხელოვნების ოსტატები, თეატრის მხატვრები. სწავლობდნენ მოსკოვში სტროგანოვის სამხატვრო-სამრეწვ. სასწავლებელში (1912—17) და თავისუფალ მხატვართა სახელოსნოებში (1917—20). საბჭ. ხელი-



სტელა. მარმარილო. ძვ. წ. V ს. ანტიკური კოლექცია. ბერლინი.



სტელა. უდე. ლეთისმშობელი და ქტიტორი. X ს.



ვ. სტელმახი.



ვ. და გ. სტენბერგები. კინოპლაკატი. 1920-იანი წლები.



სტენდალი.



ი. სტენი. „მოქეიფენი". დაახლ. 1660. ერმიტაჟი. ლენინგრადი.



ჰ. სტენლი.

სუფლების პირველ წლებში მონაწილეობდნენ მასობრივ დღესასწაულთა გაფორმებაში. *კონსტრუქტივიზმის* წარმომადგენლები. ცდილობდნენ გაფორმებითი ხელოვნება გამოეყენებინათ მასების ესთეტ. აღზრდის საშუალებად. ნამუშევრები: წითელი მოედნის საზეიმო გაფორმება (1928—34, 1945, 1947—62 — თანაავტორი ს. სტენბერგი), გამოფენა „ჩვენი მიღწევები" (თანაავტორი ლ. სტენბერგი, 1934, მოსკოვი). ვ. ს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

სტენდალი (Stendhal) (ნამდვ. სახელი და გვარი ანრი მარი ბ ე ი ლ ი, Beyle) (23. I. 1783, გრენობლი, — 23. III. 1842, პარიზი), ფრანგი მწერალი. სწავლობდა იზერის ცენტრ. სკოლაში; 1799 პარიზში გაემგზავრა და სამხ. სამინისტროში დაიწყო სამსახური. 1800 მონაწილეობა მიიღო იტალიაში ნაპოლეონის ლაშქრობაში. 1802 სამხ. სამსახური მიატოვა და ერთხანს მარსელის სავაჭრო სახლში მუშაობდა. მერე ისევ ჯარში დაბრუნდა. 1806—14 კვლავ მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონის ლაშქრობაში. ნაპოლეონის დამარცხებასთან ერთად მისი სამხ. კარიერაც დასრულდა. 1814 წავიდა იტალიაში, დაუახლოვდა ჯ. გ. ბაირონს; თანამშრომლობდა იტალ. რომანტ. ჟურნ. „კონჩილიატორეში", გატაცებული იყო კარბონართა მოძრაობით. 1821 დაბრუნდა საფრანგეთში, 1830 დანიშნეს საფრ. კონსულად ტრიესტში, 1831 — ქ. ჩივიტა-ვეკიაში, სადაც 10 წელი დაჰყო.

ს-ს მეტად რთული შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს; სიცოცხლეში არც კრიტიკოსთა აღიარება მოუპოვებია და არც პოპულარობა მკითხველთა შორის. მისი მწერლური კრედო და ესთეტ. შეხედულებები ძირითადად დადგინდა ფრანგ. მატერიალ. ფილოს. და XVIII ს. განმანათლებლური თეორიების გავლენით. ადრინდ. ნაწარმოებები „აზრები. ახალი ფილოსოფია"; კომედიები „ორი კაცი", „ლეტელიე", „წერილები პოლინისადმი" და სხვ. XX ს. 30-იან წლებში გამოქვეყნდა. 1814-იდან ს-ის საზ.-ფილოს. და ლიტ.-ესთეტ. შეხედულებები უფრო მკაფიოდ გამოჩნდა პუბლიც., კრიტ., ფილოს.-ფსიქოლ. შრომებში, წიგნებში ხელოვნ. შესახებ, მოგზაურობათა ჩანაწერებში—„პაიდნის, მოცარტისა და მეტასტაზიოს ცხოვრება", „ფერწერის ისტორია იტალიაში" (ტ. 1—2), „რომი, ნეაპოლი და ფლორენცია" (სამიე 1817), „გასეირნება რომში" (1829), „ტურისტის ჩანაწერები" (ტ. 1—2, 1838), პამფლეტში „რასინი და შექსპირი" (ორი ვერსია, 1823, 1825), ტრაქტატში „სიყვარულის შესახებ" (1822), წიგნებში „ნაპოლეონის ცხოვრება", „მოგონებები ნაპოლეონის შესახებ" და სხვ. ს-ის ლიტ. მემკვიდრეობაში 5 რომანი გამოირჩევა: პირველია „არმანსი. სცენები პარიზის სალონის ცხოვრებიდან 1827" (ტ. 1—3, 1827), რ-შიც მწერალმა წარმოგვიდგინა რესტავრაციის პერიოდის ფრანგ. საზ-ბის ცხოვრების ნათელი სურათი, ჩამოაყალიბა გმირის თავისეული მოდელი, საკუთ. თემატიკა. რომანმა სიუჟეტის ხელოვნების ხარვეზებისა და კომპოზიციის გაუმართაობის გამო მოწონება ვერ დაიმსახურა. დაუმთავრებელი რომანი „ლუსიენ ლევენი" („წითელი და თეთრი", 1834—36) ყველაზე უფრო სკეპტიკური და ამავე დროს მაბრილებელი ნაწარმოებია, რ-შიც მწერალმა წარმოადგინა ივლ. მონარქიის პირველი წლების საზ., პოლიტ. და კერძო ცხოვრების ფართო სურათი; წიგნი მდიდარია სატირული და პაროდიული ჩანახატებით. ასევე დაუმთავრებელი დარჩა რომანი „ლამიელი" (1839—42, გამოქვეყნდა 1889, სრულად — 1928), რ-იც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. მწერლის შედევრებად და მსოფლიო ლიტ-რის კლასიკურ ნაწარმოებებადაა მიჩნეული რომანები „წითელი და შავი" (1830) და „პარმის სავანე" (1839). რომანში „წითელი და შავი", რ-ის ქვესათაურია „XIX საუკუნის ქრონიკა", გამოიხატა საფრ. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, რესტავრაციის პერიოდის საზ-ბის ცხოვრება, ქალაქის არისტოკრატიის და მმართველი წრეებისა თუ პროვინციული თავად-აზნაურობის, ბურჟ. და სამღვდელოების ყოფა. რომანი რეალისტური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია, რ-საც პამფლეტის სიმძაფრე აქვს. რომანში „პარმის სავანე" მწერალმა არაჩვეულებრივი დრამატიზმით წარმოსახა 1796—1830 წლების ჩრდ. იტალ. პატარა სამთავროს ცხოვრებისა და სოც. ურთიერთობათა შესანიშნავი სურათი, შექმნა დახვეწილი ფსიქოლ. პორტრეტები. ამ ორ მონუმ. რომანს წინ უძღოდა „იტალიური ქრონიკები" (გამოქვეყნდა 1855), რ-მაც ერთგვარი ჩანახატის როლიც შეასრულა, შეითავსა მოთხრობები და ნოველები, რ-თა ბეჭდვა ს-მა 1829-იდან დაიწყო; მათგან გამოირჩევა „ვანინა ვანინი" (1829), „ვიტორია აკორამბონი" (1857), „ჩენჩი" (1837) და სხვ. ს-ს ეკუთვნის მემუარული ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშები: ავტობიოგრაფიული მოთხრობები „ეგოისტის მოგონებები" (1832, გამოქვეყნდა 1892), „ანრი ბრიულარის ცხოვრება" (1835, გამოქვეყნდა 1890), რ-იც დაწერილია არაჩვეულებრივი უშუალობით და ყურადღებას იპყრობს ფსიქოლ. ანალიზის სიღრმით, და სხვ.

ს-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფრანგ. ლიტ-რის ისტორიაში. იგი ღრმად ჩაწვდა თავისი ეპოქის სულს, მის ძირითად, წამყვან მოვლენებს, ადამიანის რთულ ფსიქოლოგიას, პიროვნებასა და საზ-ბას შორის ურთიერთობათა თავისებურებებს. მან შექმნა პერსონაჟთა მდიდარი და მრავალფეროვანი გალერეა; წარმოაჩინა სხვადასხვა ფენის, საზ. მდგომარეობის, მორალის, ბუნებითა და ზნეობრივი არსით სრულიად განსხვავებული ადამიანები. ს-ის რეალიზმი რომანტიზმის მრავალ ნიშან-თვისებას შეიცავს; მისი რომანები უმთავრესად ისტ. და პოლიტ. ხასათისაა; ს-ის სტილი უკავშირდება XVII და XVIII სს. ფრანგ. პროზის ოსტატთა ტრადიციებს; მისთვის დამახასიათებელია ლოგიკური სიმწყობრე და სინათლე, აზრის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემა, ფრაზის სისადავე. იგი კარგად იყენებს ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებებს. თხრობა დინამიკური და ცოცხალი აქვს, სურათი — შთამბეჭდავი და ემოციური.

ს-ის ნაწარმოებთა პირველი ქართ. თარგმანები ეკუთვნის გ. ქიქოძეს; 1928 მან თარგმნა „იტალიური ქრონიკები", ხოლო 1937 — „წითელი და შავი".

თხზ.: [Œuvres complètes] établ. du texte et préf. par H. Martineau, [v. 1—79], P., 1927—37; Собр. соч., т. 1—15, М., 1959; წითელი და შავი. — იტალიური ქრონიკები, თბ., 1979 (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, I სერია, ტ. 34).

ლიტ.: ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე დ., ნარკვევები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1974; История французской литературы, т. 2, М., 1956. *რ. დოდაშვილი.*

სტენი (Sten) იან (დაახლ. 1626, ლეიდენი, — დაკრძალულია 3. II. 1679, იქვე), ჰოლანდიელი ფერმწერი. სწავლობდა ნ. კნიუპფერთან უტრეხტში, ა. ვან-ოსტადესთან ჰარლემში, ი. ვან გოიენთან ჰაagაში. მუშაობდა ლეიდენში (სადაც 1648 მიიღო ოსტატის წოდება), ჰაagაში (1649-იდან) და სხვ. ს. ხატავდა პორტრეტებს, პეიზაჟებს, კომპოზიციებს ბიბლიურ თემებზე, თუმცა უფრო მეტად ყოფით ჟანრში მუშაობდა („სნეული ქალი და ექიმი", დაახლ. 1660, ერმიტაჟი, ლენინგრადი).

სტენი, ს თ ე ნ ი (<ბერძნ. sthenos — ძალა), ძალის ერთეული სისტემაში: მეტრი — ტონა — წამი (ერთეულთა MTS სისტემა). ს. უდრის ძალას, რ-იც 1 *კგ* მასის სხეულს 1 *მ/წმ²* აჩქარებას ანიჭებს ძალის მოქმედების წრფის გასწვრივ. ქართ. აღნიშვნაა 1 *სნ*, საერთაშ. — **sn**. 1 *სნ* = 1000 *ნ* = 101,972 *კგძ*.

სტენლი (Stanley) უენდელ მერედით (დ. 16. VIII. 1904, რიჯვილი, ინდიანის შტ.), ამერიკელი ვირუსოლოგი და ბიოქიმიკოსი. აშშ-ის ეროვნ. მეცნ. აკად. (1941) და ნიუ-იორკის მეცნ. აკად. (1963) წევრი. 1948-იდან კალიფორნიის უნ-ტის პროფესორია ბერკლიში. მისი უმთავრესი ნაშრომები ეხება ვირუსების ქიმ. შედგენილობის, მათი ბიოქიმ., რეპროდუქციის, მუტაციების, კიბოს პრობლემის შესწავლას. 1935 პირველმა გამოყო კრისტ. სახით თამბაქოს მოზაიკის ვირუსი, აღმოაჩინა ვირუსების წმინდა პრეპარატების მიღებისა და მათი შესწავლის გზა. 1955 გამოყო პოლიომიელიტის ვირუსი. 1946 ჯ. *სამნერთან* და ჯ. *ნორთროპთან* ერთად მიენიჭა ნობელის პრემია ქიმიის დარგში.

სტენლი (Stanley) ჰენრი მორტონ [ნამდვ. სახელი და გვარი ჯ ო ნ რ ო უ ლ ე ნ დ ზ ი (Rowlands)] (28. I. 1841, დენბი, უელსი, — 10. V. 1904, ლონდონი), ჟურნალისტი, აფრიკის მკვლევარი. 17 წლისა წავიდა ემიგრაციაში დიდი ბრიტანეთიდან აშშ-ში. 1871—72 აფრიკაში გაემგზავრა დ. *ლივინგსტონის* საძებნელად, იპოვა ის ტანგანიკის ტბასთან და მასთან ერთად გამოიკვლია ეს ტბა. 1874—77 ხელმძღვანელობდა ინგლ.-ამერ. ექსპედიციას, რ-მაც გადაკვეთა აფრიკა აღმ-იდან დასავლეთის მიმართულებით. ს-მ ღაადგინა ვიქტორიას ტბის მოხაზულობა, აღმოაჩინა რუენზორის მთის მასივი და ედუარდისა და ჯორჯის ტბები; გამოიკვლია მდ. კაგერა, შემოუარა ტანგანიკის ტბას, გაუყვა მდ. კონგოს ლუალაბიდან შესართავამდე და რუკაზე გამოსახა მისი შუაწელი. 1879—84 მსახურობდა ბელგიის მეფე ლეოპოლდ II-თან. მონაწილეობა მიიღო მდ. კონგოს აუზის დაპყრობაში. გზადაგზა აღწერა კონგოს რამდენიმე შენაკადი, აღმოაჩინა ტბები ლეოპოლდ II (ახლანდ. მაი-ნდომბე) და ტუმბა. 1887—89 ხელმძღვანელობდა ინგლ. ექსპედიციას, ხელახლა გადაკვეთა აფრიკა, ამჯერად — დას-იდან აღმოსავლეთის მიმართულებით. გამოიკვლია მდ. არუვიმი, დაადგინა, რომ ედუარდის ტბა მიეკუთვნება ნილოსის სისტემას. ს-ს სახელი ეწოდება ჩანჩქერებს კონგოს ზემოთში.

სტენლი (Stanley), ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი, იხ. *პორტ-სტენლი*.

სტენლივილი (Stanleyville), ზაირის რესპუბლიკის ქალაქ *კისანგანის* სახელწოდება 1966-მდე.

სტენლის ჩანჩქერები (Stanley Falls), ჩანჩქერები მდ. კონგოს (ზაირი) ზემო დინებაში, ქ-ებს უბუნდუსა და კისანგანის შორის, ზაირის რესპ. ტერიტორიაზე. სულ შვიდი მნიშვნელოვანი ჩანჩქერია, რ-თა ვარდნაა დაახლ. 40 *მ* 150 *კმ* მანძილზე. სახელი ეწოდა ჰ. *სტენლის* პატივსაცემად.

სტენო, ს ტ ე ნ ო ი, ს ტ ე ნ ს ე ნ ი (Steensen, ლათინიზებული Steno, Stenonius) ნიკოლაუს (ნილს) (10. I. 1638, კოპენჰაგენი, — 25. XI. 1686, შვერინი), დანიელი ბუნებისმეტყველი. 1656—59 სწავლობდა კოპენჰაგენის უნ-ტში (არ დაუმთავრებია), შემდეგ (1659—60) — ამსტერდამში. მუშაობდა ლეიდენში, პარიზში, რომში, ფლორენციაში და სხვ. ადამიანის ანატომიის შესწავლის დროს აღმოაჩინა ყბაყურის სადინარი (1660), რ-საც მისი სახელი ეწოდა; აღწერა კუნთების გასწვრივბოჭკოვანი აგებულება და შეეცადა აეხსნა კუნთების შეკუმშვის მექანიზმი (1664); ცხადყო ძუძუმწოვრებისა და კვერცხისმდებელი ცხოველების საკვერცხეების მსგავსება (1667). კრისტალოგრაფიაში დაადგინა კუთხეთა მუდმი-


სტ. *სვეტიცხოველი*. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი. 1010—1029. სამხრეთ-დასავლეთის ხედი.



სვეტიცხოვლის ტაძრისა და ქ. მცხეთის ხედი. ჯვრის ტაძრიდან.



1



2



3



4



5




6

7



8






9


სტ. სკვითები. **1.** ჭურჭლის შემოსაკრავი, რომელზედაც გამოსახულია არწივი. **2.** ცულის შემოსაფენი. **3.** ხარის თავიანი ჩამოსაცმელი. ბრინჯაო. **4.** ბალთა. გამოსახულია კურდღელზე მონადირე სკვითი. **5.** ცხენის საშუბლე, რომელზედაც გამოსახულია ქალღმერთი. **6.** ბალთა, რომელზედაც გამოსახული არიან მშვილდ-ისრებით მონადირე სკვითები. **7.** მგლისგამოსახულებიანი ბალთა. **8.** ცხოველთა გამოსახულებიანი ბალთა. **9.** ბალთა, რომელზედაც გამოსახულია ქალღმერთი (1,2,4—9—ოქრო. ყველა—ძვ. წ. VII—II სს. ერმიტაჟი. ლენინგრადი).















სტ. სიკეიროსი. დ. 1. „ახალი დემოკრატია". 1944—45. ხელოვნების სასახლე. მეხიკო. 2. „ასეთნი ვართ დღეს". 1947. ეროვნული სამხატვრო ინსტიტუტი. მეხიკო. 3. „ქვითინი". 1939. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ნიუ-იორკი. 4. „სიკვდილი დამპყრობელს". 1941—42. ფრაგმენტი. მექსიკური სკოლა, ჩილიანი. ჩილე. 5. „ამერიკის ორი მთაკაცი (აბრაამ ლინკოლნი და ხოსე მარტი)". 1943. 6. „მარია ტერესა ლეონ დე ალბერტის პორტრეტი". 1935.




1. Ф. Эмблемы цехов. 2. Ф. Эмблемы цехов. 3. Э. Дюрер. "Четыре всадника Апокалипсиса". 1916. 4. Ф. Эмблемы цехов. 5. Ф. Ваза. 1894. 6. Ф. Эмблемы цехов. 7. Э. Дюрер. "Четыре всадника Апокалипсиса". 1898. 8. Ф. Эмблемы цехов. 9. Ф. Эмблемы цехов.

1894. Декоративные формы. (Энциклопедический словарь). "Вазы". 1903—06. Художественная промышленность. (Энциклопедический словарь). "Вазы". 1908. Фарфоровые вазы. (Энциклопедический словарь). "Вазы".











სტ. სირია. 1. ბელის ტაძარი. პალმირა. I ს. 2. ციტადელი პალაბში. XII — XIII სს. 3. კრაკ-დე-შევალიეს ციხე-დარბაზის გალერეა. XII ს. 4. სიმეონ მესვეტის ბაზილიკა კალათ-სემანის მონასტერში. V ს. III მეოთხედი. 5. მეჩეთის მინარეთი. რაქლა. XII ს. 6. ომაიანების მეჩეთის ეზო. დამასკი. 705—715. 7. ს. ჰ უ დ ა რ ი ს ი და სხვ. უნივერსიტეტი პალაბში. 1968—69. 8. ომაიანების მეჩეთის მოზაიკა. დამასკი. 705—715. 9. „ქილილა და დამანას" ხელნაწერის მინიატურა. 1200—20. ეროვნული ბიბლიოთეკა. პარიზი. 10. ბ უ რ ჰ ა ნ კ ო რ კ ო ტ ლ ი. „დავიცვათ სირია!". 11. ლ უ ა ი ქ ა ა ლ ი. „ბაზარში". 1960-იანი წლები.









































სტ. ტაწუანია. **1.** სტეპი მასაის პროვინციაში. **2.** კილიმანჯაროს მთა. **3.** კ. ზანზიბარის სანაპირო. **4.** ქ. დარ-ეს-სალამის ნაწილის ხედი. **5.** დიდი მეჩეთის ნანგრევები. ქილივა-ქისივანი. XII ს. **6.** ნიღაბი. ხე. ცვილი. მაკონდეს ხალხი. ბრიტანეთის მუზეუმი. ლონდონი. **7.** ნიღაბი. ხე. მაკონდეს ხალხი. ლინდენის მუზეუმი. შტუტგარტი. **8.** წინაპართა შეწყვილებული ფიგურები. ხე. ვაჟგაგას ხალხი. დიდ ტბათა რაიონი. ლინდენის მუზეუმი. შტუტგარტი. **9.** ქალის ფიგურა. ხე. ვაბენას ხალხი. ბერლინ—დალემი. ეთნოგრაფიული მუზეუმი. **10.** „დედა და შვილი". ხე. მაკონდეს ხალხი. სამხრეთ ტანზანია. ეთნოგრაფიული მუზეუმი. ჰამბურგი. **11.** სემ ჯ. ნტირო. „სოფელი მასაანი-მუკეტი". 1970—71. აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი. **12.** ადმინისტრაციული შენობა. დარ—ეს—სალამი. 1960-იანი წლები.



1



2



3



4

სტ. სილნაღის რაიონი (*I*). **1.** მდ. ანაგის ხეობა. **2.** სოფ. ანაგა. საერთო ხე-ლი. **3.** სოფ. ნუკრიანი. ერთ-ერთი უბანი. **4.** ფნორის სასუქი მეურნეობა ენამთაზე. **5.** ქ. სილნალი. საერთო ხედი. **6.** სოფ. ზემო ბოდბე. საერთო ხედი. **7.** სოფ. ქვემო ბოდბე. ზვრები. **8.** ბოდბის კოლმეურნეობის ცხვრის ფარა. **9.** ქ. სილნალი. ბალიჩების საქსოვი საამქრო. **10.** ქ. სილნალი. სამკერვალო ფაბრიკა. ერთ-ერთი საამქრო.




8




9




10












სტ. სიღნაღის რაიონი (*II*). **1.** სიღნაღი. რაიკომის შენობა. **2.** სოფ. ნუკრიანის საშუალო სკოლა. **3.** სოფ. ტიბაანი. კულტურის სახლი. **4.** სიღნაღის სასტუმრო. **5.** სოფ. ვაქირი. კვირაცხოველის ეკლესიის მოხატულობა. განვითარებული შუა საუკუნეები. **6.** სოფ. ტიბაანი. სტეფანწმინდის მონასტრის ტაძარი. VI ს. აღდგენილია XVI ს. **7.** სიღნაღი. „ამირანი". ბრინჯაო. 1978. მოქანდაკე ვ. ონიანი.





ვობის კანონი (იხ. *კრისტალოგრაფიის ძირითადი კანონები*); აღწერა ალმასის, კვარცის და მარკაზიტის კრისტალები. მასვე ეკუთვნის შრეთა წარმოქმნის თანამიმდევრობის კანონი სტრატიგრაფიაში; ს-მ დაამტკიცა, რომ დანალექი ქანების დაბრილი განლაგება მეორეულია და დაასაბუთა ქანების უთანხმო განლაგების მნიშვნელობა. ს-ს სახელი ეწოდა მინერალს—ს ტ ე ნ ო ნ ი ტ ი. — $Sr_2Al(CO_3)F_5$.

ლიტ.: Ш а ф р а н о в с к и й И. И., Николай Стенон—кристаллограф, геолог, палеонтолог, анатом, Л., 1972.

სტენობიონტები (ბერძნ. stenos — ვიწრო, შეზღუდული და *ბიონტი*), ცხოველები და მცენარეები, რ-თაც გააჩნიათ გარემოს შედარებით მუდმივ პირობებში არსებობის უნარი. ს-ს განეკუთვნება მრავალი პარაზიტი და სიმბიონტი (იხ. *პარაზიტიზმი, სიმბიოზი*), რ-თაც აქვთ მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობის წარმომადგენელთან თანაცხოვრების უნარი, აგრეთვე ოკეანეების სიზრქეში, მღვიმეებში, ტენიან, ტროპ. ტყეებში, მაღალმთიან რ-ნებში ბინადარი მრავალი ცხოველი. ს-ია *მანული, პრომეთეს მემინდვრია*, ტიბეტის ზეგანზე მცხოვრები იაკი, ჩიმბორასოს პიკზე მობინადრე კოლიბრი და სხვ. სტენობიონტობის უნარი ზღუდავს განსახლების შესაძლებლობას და განაპირობებს სახეობათა ლოკალურ გავრცელებას (ვიწრო არეალები). ს-ს უპირისპირდება *ევრიბიონტები*.

სტენოგრაფია (ბერძნ. stenos — ვიწრო და ...გრაფია), ზეპირი მეტყველების სწრაფად ფიქსირება განსაკუთრებული ნიშნებისა და შემოკლების გამოყენებით. ს. ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. საბერძნეთსა და რომში. პირველი ბერძნ. ჩანაწერები განეკუთვნება ძვ. წ. 350. ტერმ. „ს.“ პირველად იხმარა ინგლისში 1602 ჯ. უილისმა. ამჟამად მსოფლიოში ს-ის რამდენიმე ათეული სისტემა მოქმედებს. განარჩევენ ს-ის კურსივულ და გეომ. ფორმებს. პირველი ემყარება ანბანურ სისტემას, მეორე — გეომ. ფიგურებს (წრეს, სხვადასხვა დახრილობის წრფეებს და ა. შ.). სსრკ-ში 1933 შეიმუშავეს ს-ის ერთიანი სახელმწ. სისტემა. ქართ. ჩქაროსნული წერის საწყისები შორეული წარსულიდან მომდინარეობს (ქარაგმები). ქართ. ს-ის დამუშავების პირველი ცდები (დები—ნადო, ეერა, ნინო თარხან-მოურავები, ჟივოტინსკი-ჩარხიშვილი, მ. ლეონიძე და სხვ.) წარმოადგენდა უცხოური ს-ის მისადაგებას ქართ. ენასთან. ამჟამად ქართ. ს-ს საფუძვლად უდევს ქართ. ენის თავისებურებანი და ერთიანი სახელმწ. სისტემის პრინციპები.

ლიტ.: ლ ე ო ნ ი ძ ე მ., ქართული სტენოგრაფია, თბ., 1966; С о к о л о в Н. Н., Теоретические основы государственной единой системы стенографии, М., 1949.

ე. ბაგრატიონი, ელ. ახვლედიანი.

სტენოგრაფიული მანქანა, *სტენოგრაფიისათვის* განკუთვნილი *საწერი მანქანა*. სტენოგრამების მანქანური ჩაწერისას სპეც. სტენოგრაფიული ნიშნების ნაცვლად იყენებენ ჩვეულებრივ ასოებსა და 2 ან მეტი ასოების შეულღლებას (აკორდს). სტენოგრაფირების დასაჩქარებლად ს. მ-ის კლავიატურას ადგენენ განსაზღვრული რაოდენობის ასოებისაგან, ხოლო იმ ასოებს, რ-ებიც არაა კლავიატურაში, ცვლიან ე. წ. აკორდებით: მაგ., „ბ“-ს ნაცვლად იყენებენ „ვმ“-ს შეულღლებას, „შ“-ს ნაცვლად — „ტქმ“-ს და ა. შ.; ს მ-ით წუთში ჩაიწერება 120 და მეტი სიტყვა. ს. მ. ფართოდ ვერ გავრცელდა ბეჭრის მაგნიტური ჩაწერის ტექ. განვითარების, კერძოდ დიქტოფონის გამოგონების გამო. XX ს. 50-იანი წწ-იდან ს. მ-ის გამოშვება შეწყდა.

სტენოზი (ბერძნ. stenosis — შევიწროება), ფიზიოლოგიური ხერელის (მაგ., მარცხ. წინაგულ-პარკუჭის ხერელისა — ე. წ. მიტრალური ს.) ან ლულოვანი ორგანოს სანათურის (მაგ., კუჭის გასავლისა — პილოროსტენოზი, ნაწლავისა, ტრაქეისა, ბრონქის არტერიისა და სხვ.) შევიწროება. ს. შეიძლება იყოს თანდაყოლილი (განვითარების მანკი) და შეძენილი (რაც ნაწიბურით ან სიმსივნით არის შეპირობებული). ფუნქციური ს. ვითარდება მუსკულატურის *სპაზმის* შედეგად. მკვეთრად გამოხატული ს. აძნელებს შიგთავსის (სისხლი, საკვების მასა, ჰაერი) გადაადგილებას, რის გამოც ს-ის ზემოთ მდებარე ორგანოს კუნთები განიცდის ჰიპერტროფიას (კომპენსირებული ს.). მოგვიანებით კუნთების ტონუსი ეცემა, ორგანოს სანათური შევიწროებული ადგილის ზემოთ საგრძნობლად გაფართოვდება, ირღვევა შევიწროებული ნაწილის გამტარუნარიანობა (დეკომპენსირებული ს.). მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: ქირურგ. ჩარევა, *გულის მანკის* ზოგიერთი ფორმის დროს — ხვრელის გაგანიერება; ბუჟირება, შევიწროებული ნაწილის ამოკვეთა, პლასტ. ოპერაცია.

სტენოკარდია (ბერძნ. stenos — ვიწრო და kardia — გული), გ უ ლ ი ს ა ნ გ ი ნ ა (angina pectoris), *გულის იშემიური დაავადების* ერთ-ერთი ფორმა; ვლინდება მკერდის ძვლის უკან ან გულის არეში ძლიერი შემბოჭავი ტკივილით, რ-იც ვრცელდება მარცხ. მხარეზე, ბეჭზე, ხელზე, კისერზე (უფრო იშვიათად მარჯვნივ), მუცელზე და სხვ. ს. ვითარდება გულის კუნთის მწვავე იშემიის შედეგად, რასაც იწვევს გულის მკვებავ გვირგვინოვან არტერიებში სისხლის ნაკადის ხანმოკლე შეფერხება. ს-ს საფუძვლად უდევს კორონარული სისხლძარღვების ათეროსკლეროზი, იშვიათად, მათი დაზიანება კოლაგენური დაავადების ან ათაშანგის დროს; სისხლძარღვთა სპაზმი (მაგ., პიპერტონიული დაავადების დროს); გულის მომეტებული მოთხოვნილება ჟანგბადისადმი (ფიზ. გადატვირთვისას); შეიძლება იყოს რეფლექსური ხასიათისა (ქოლეცისტიტის, კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის და სხვ. დროს). განარჩევენ დაძაბულობისა და მოსვენების ს-ს. დ ა ძ ა ბ უ ლ ო ბ ი ს ს-ის დროს ტკივილი იწყება სიარულის ან სხვა ფიზ. დატვირთვის, თბილი შენობიდან ცივ ჰაერზე გამოსვლის, აღელვების, არტერიული სისხლის წნევის აწევის და სხვ. შემთხვევებში. მ ო ს ვ ე ნ ე ბ ი ს ს-ის დროს ტკივილი არ არის დაკავშირებული ფიზ. ან ნერვულ დაძაბვასთან და შეიძლება დაიწყოს რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გარეშე, მაგ., ღამე ძილში. ტკივილი რამდენიმე წუთს გრძელდება და ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგ ჩვეულებრივ გაივლის. თუ ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგ ტკივილი მაინც გრძელდება (ნახევარ საათს ან მეტხანს), შეიძლება განვითარდეს *გულის კუნთის ინფარქტი*. შეტევას შეიძლება დაერთოს კანის სიფერმკრთალე, ცივი ოფლი, პულსის გაიშვიათება და სხვ. ს-გან განასხვავებენ არაიშემიურ კ ა რ დ ი ა ლ გ ი ა ს — ტკივილს გულის არეში, რ-იც სხვადასხვა დაავადებასთან (ნევროზი, ნევრალგია, ხერხემლის ოსტეოქონდროზი, მიოზიტი, მიოკარდიტი, პერიკარდიტი, პლევრიტი და სხვ.) არის დაკავშირებული.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: მოძრაობის შეწყვეტა ტკივილის შეტევის მოსახსნელად; ვალიდოლი, ნიტროგლიცერინი, შეტევის გახანგრძლივებისას — ტკივილგამაყუჩებელი საშუალებანი, შეტევებს შორის პერიოდში — ნიტრონგი, სუსტაკი, კურანტილი, პაპავერინი, ნო-შპა, ანგინინი და სხვ.

პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ცხოვრებისა და შრომის რეჟიმის მოწესრიგება, თამბაქოს წევისა და ალკოჰოლიანი სასმელების აღკვეთა; ჭარბი წონის დაკლება; თანმხლები დაავადებების (ჰიპერტონიული დაავადება, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და სხვ.) მკურნალობა.

ლიტ.: ტ ვ ი ლ დ ი ა ნ ი დ., კლინიკური კარდიოლოგია, თბ., 1982; Стенокардия, под ред. Д. Джулиана, пер. с англ., М., 1980; Ш х в а ц а б а я И. К., Ишемическая болезнь сердца, М., 1975.

გ. ალადაშვილი.

სტენოტოპური ორგანიზმები (ბერძნ. stenos — ვიწრო და topos — ადგილი), ვიწრო ადგილსამყოფელს შეგუებული ცხოველები და მცენარეები. მცენარეებიდან ს. ო-ს განეკუთვნება ქვიშნარის აკაცია, შტოში, დროზერა, წყლის იელი, ფოთოლეკალა და სხვ., ხოლო ცხოველთაგან—შუადღის მექვიშია, მილკბილა, ბილგუდა, ზარმაცა, ჟრუნი და სხვ. ჩვეულებრივად ს. ო. *სტენობიონტებიცაა*, თუმცა ზოგჯერ სტენოტოპურობა დაკავშირებულია ევრიბიონტულობასთან გარემოს ზოგიერთ ფაქტორთან დამოკიდებულების მიხედვით. მაგ., ველური ცხვარი (Ovis orientalis), რ-იც მანგიშლაყის ნ.-კ-ზე და შუა აზიის მაღალმთიანეთში გვხვდება, სტენოტოპურია, რადგან იგი მხოლოდ კლდოვან უბნებშია გავრცელებული, მაგრამ კლიმატის მიმართ ევრიბიონტულია, რადგანაც ბინადრობს მაღალმთიანეთშიც და ცხელ უდაბნოშიც. ს. ო-ს უპირისპირდება *ევრიტოპული ორგანიზმები*.

სტენოფაგია (ბერძნ. stenos — ვიწრო და phagein — ჭამა), ცხოველთა ვიწრო სპეციალიზებული კვება ერთი (იხ. *მონოფაგია*) და რამდენიმე სახის საკვებით (იხ. *ოლიგოფაგია*). სტენოფაგებს განეკუთვნება მრავალი უხერხემლო (მ. შ. მწერები), აგრეთვე ზოგიერთი ხერხემლიანი ცხოველი. მაგ., ვაშლის ჩრჩილის მატლი ჭამს მხოლოდ ვაშლის ხის ფოთლებს, ზოგიერთი კოპროფაგი — განსაზღვრული სახეობის ცხოველის ექსკრემენტს, შაკი — თევზს, სამხრ. ამერ. სამთითა ზარმაცა (ძუძუმწოვარი) — ერთი სახეობის მცენარის (ცეკროპია) ფოთლებს და სხვ.

სტენტორი, ჯ ა ნ წ ა (Stentor), უმარტივესი ცხოველების გვარი *ინფუზორიების* კლასისა. მათი სხეულის სიგრძე 1 *მმ* აღწევს. აერთიანებს 10-ზე მეტ სახეობას. აქვთ ძაბრისებრი სხეული, გაფართოებულ წინა ნაწილზე — პირისირგვლივი მემბრანელები, რ-ებიც საკვებს ატარებენ პირის ხვრელისაკენ. დანარჩენი სხეული წვრილი წამწამების სიგრძივი რიგებითაა დაფარული. მკუმშავი ბაფების — *მიონემების* საშუალებით შეუძლიათ შეიკუმშონ და ბურთისებური ფორმა მიიღონ. ბინადრობენ ზღვებსა და მტკნარ წყლებში. ზოგიერთი სახეობის ციტოპლაზმაში არის მრავალრიცხოვანი სიმბიონტი — ერთუჯრედიანი წყალმცენარეები.

სტენშიე (Stensiö) ერიკ პელგე ოსვალდ (დ. 2. X. 1891, სტენშიე, დედერჰულტი, კალმარის ლენი), შვედი პალეონტოლოგი, შვეციის მეცნ. აკად. წევრი (1927). ს. იკვლევდა უმთავრესად სილურული და დევონური პერიოდების *ჯავშნიან თევზებს* და თევზისნაირებს. გამოიკვლია *ოსტრაკოდერმების* ნათესაობა ამჟამად მცხოვრებ მრგვალპირიანებთან და პლაკოდერმებისა — ზვიგენისებრებთან. შეისწავლა შპიცბერგენის და გრენლანდიის თევზები, დაამტკიცა ძვ. განოიდებისაგან — პალეონისციდებისაგან თანამედროვე ზუთხისებრთა წარმოშობა. გვიჩვენა, რომ შესაძლოა უძველესი ნამარხი ჯავშნოსანი უყბოების არამარტო ჩონჩხის აგებულების, არამედ ნერვული, სისხლის მიმოქცევის და სხვ. სისტემების შესწავლაც. ს. 1929 აირჩიეს სსრკ მეცნ. აკად. უცხოელ წევრად.



ა. სტეპანოვა.

სტეპანოვა ანგელინა ოსიპის ასული (დ. 23. XI. 1905, ამურის ნიკოლაევსკი, ახლანდ. ხაბაროვსკის მხარე), რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1960), სოციალ. შრომის გმირი (1975). სკკპ წევრი 1952-იდან. სწავლობდა სამხატვრო




ე. სტეპანოვა.



პ. სტეპანოვი.



სტეპის წითელი ჯიში



სტერეოგაზისი: P_1 P_2 — სტერეოსკოპით სამზერი განსაკუთრებული მარჯვენა და მარცხენა გამოსახულებები; O_1O_2—დამკვირვებლის თვალების წინა საკვანძო წერტილები; l_0— სტერეოგაზისი სტერეოსკოპისა; l_m— სტერეოგაზისი თვალისა.

თეატრის III სტუდიაში. 1924-იდან ჩაირიცხა სამხატვრო თეატრის დასში. საუკეთესო როლები: ირინა (ჩეხოვის „სამი და“), ბეტსი ტვერსკაია (ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“), ლიდა (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“), დედოფალი ელისაბედი (შილერის „მარიამ სტიუარტი“), არკადინა (ჩეხოვის „თოლია“) საბუროვა (ა. და პ. ტურების „ერთადერთი მოწმე“) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

სტეპანოვა ელენე ანდრიას ასული [5 (17). V. 1891, მოსკოვი,—26. V. 1978, იქვე], საბჭ. მომღერალი (ლირ. — კოლორატურული სოპრანო), სსრკ სახ. არტისტი (1937). სიმღერას სწავლობდა მ. პოლისთან. 1912—44 დიდი თეატრის სოლისტი. ს-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის, ფართო დიაპაზონის ძლიერი ხმა, ვირტუოზული ტექნიკა. მონაწილეობდა დიდი თეატრის საოპერო სტუდიის მუშაობაში. სტუდიის ხელმძღვ. კ. სტანისლავსკიმ დიდი როლი შეასრულა ს-ის მომღერლად და მსახიობად ჩამოყალიბებაში. პარტიები: ანტონიდა და ლიუდმილა (გლინკას „ივან სუსანინი“ და „რუსლან და ლიუდმილა“), ვოლხოვა, თოვლია, შემახელი დედოფალი, მარფა (რიმსკი-კორსაკოვის „სადკო“, „თოვლია“, „ოქროს მამალი“, „მეფის საცოლე“); ჯილდა და ვიოლეტა (ვერდის „რიგოლეტო“ და „ტრავიატა“), ლაკმე (დელიბის „ლაკმე“) და სხვ. 1950-მდე მართავდა კონცერტებს. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სტეპანოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [21. I (2. II). 1892, ოდესა, — 30. X. 1965, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1947-იდან. ლიტ. მოღვაწეობა 1938 დაიწყო. ს-ის ძირითადი ნაწარმოებებია რომანი „პორტ-არტური“ (წგნ. 1—2, 1940—41; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946) და მისი გაგრძელება „ზვინარიოვების ოჯახი“ (1959—63, დაუმთავრებელია). „პორტ-არტური“ თარგმნილია მრავალ ენაზე, მ. შ. ქართულადაც. ს. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

სტეპანოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [21. IV (3. V). 1807, კალუგა, — 23. XI (5. XII). 1877, მოსკოვი], რუსი გრაფიკოს-სატირიკოსი. ჟურნ. „ისკრის“ სამხატვრო რედაქტორი (1859—64) და „ბუდილნიკის“ რედაქტორ-გამომცემელი. რუსეთში პოლიტ. საჟურნალო და აგრეთვე სკულპტურული კარიკატურის ერთ-ერთი დამფუძნებელი. კარიკატურებში ამათრახებდა ჩინოვნიკურ ბიუროკრატიზმს. ს-ის საუკეთესო ნახატები გამოირჩევა ხასიათების ტიპურობით, პოზებისა და ჟესტების გამომსახველობით. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია კარიკატურები ალბომებში „ერალაში“, „თანამედროვე ხუმრობები“ (3 გ. 1856), „ნაცნობები“ (6 გ. 1857—58).

სტეპანოვი პავლე ივანეს ძე [4 (16). VI. 1880, ტარა, ახლანდ. ომსკის ოლქი,— 26. VIII. 1947, მოსკოვი], საბჭ. გეოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). 1907 დაამთავრა პეტერბ. სამთო ინ-ტი. მუშაობდა გეოლ. კომიტეტში. 1919—26 ლენინგრ. სამთო ინ-ტში კითხულობდა ნაბშირებისა და არამადნეული წიაღისეულის საბადოთა გეოლ. კურსს. ს. იყო აკად. ფ. ჩერნიშოვის სახ. გეოლ. მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებელი და დირექტორი (1926—47). 1939-იდან ხელმძღვანელობდა წიაღისეული ნახშირების შემსწავლელ ჯგუფს სსრკ მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტში. ს-ის შრომები ძირითადად ეხება ნახშირებისა და არამადნეული წიაღისეულის საბადოთა გეოლ. საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ს-ის შრომები დონეცის ქვანახშირის აუზის შესახებ, რ-ებიც საფუძვლად დაედო აუზის საზღვრების გაფართოებას. სსრკ სახელმწ. პრემია (1943). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით. ს-ის სახელი ეწოდა მინერალს— სტეპანოვიტი—$NaMgFe(C_2O_4)_3 \cdot 9H_2O$.

თხზ.: Геология месторождений ископаемых углей и горючих сланцев, Л.—М., 1937 (თანაავტ.: С. И. Миронов).

ლიტ.: Павел Иванович Степанов, М.—Л., 1947 (Материалы к библиографии ученых СССР. Серия геологических наук, в. 8).

სტეპი, იხ. *ველი*.


სტეპის ზონები, ხმელეთის ბუნებრივი ზონები, რ-თა ლანდშაფტში ჭარბობს სტეპი. გავრცელებულია ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროების ზომიერ და სუბტროპ. სარტყლებში. ამჟამად ს. ზ-ის ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი გადახნულია. იხ. *სუბტროპიკული სარტყლების სტეპის ზონები, ზომიერი სარტყლების სტეპის ზონები*.

სტეპის წითელი ჯიში მსხვილი რქოსანი საქონლისა, სარძეო მიმართულების ჯიში. გამოყვანილია XVIII ს. ბოლოს უკრ. სტეპის ნაცარა და წითელი საქონლის შეჯვარებით წითელ ოსტფრისლანდიურ და სხვ. ჯიშებთან. სსრკ-ში ფართოდაა გავრცელებული, ფერად წითელია, მკვრივი აგებულება და კარგი გამძლეობა აქვს. ფურის საშ. წლ. წველადობა სანაშენე ფერმებში არის 4000—4500 *კგ* რძე (ცხიმიანობა 3,6—3,8%), ცოცხალი მასა ფურისა 420—540 *კგ* (უდიდესია 700 *კგ*), კუროსი — 700—1000 *კგ* (უდიდესია 1200 *კგ*). გასუქებული ცხოველის ნაკლავის გამოსავლიანობა 50—55%. ს. წ. ჯ. მოშენებულია საქართვ. დაბლობი ზონის იმ რ-ნებში, რ-თა დანიშნულებაა მოუხდელი რძის წარმოება. 1980 საქართვ. კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებში მისი რაოდენობა ჯიშიან ცხოველთა მთელი სულადობის 12,7% შეადგენდა. *ნ. გოცირიძე*.

სტერადიანი (<ბერძნ. stereos — სივრცითი, მოცულობითი და *რადიანი*), *სივრცითი კუთხის* საზომი ერთეული. ს. არის ისეთი სივრცითი კუთხე, რ-იც ამ კუთხის წვეროზე შემოწერილ სფეროზე ამოჭრის სფეროს რადიუსის კვადრატის ტოლ ზედაპირს. ქართ. შემოკლებული აღნიშვნაა *სტერ*, საერთაშ.—*sr*. სრული სფერო ქმნის 4π-ის ტოლ სივრცითს კუთხეს.

სტერეო... (<ბერძნ. stereos — მყარი, მოცულობითი, სივრცობრივი), რთული სიტყვის ნაწილი; აღნიშნავს: 1. მოცულობითობას ან სივრცობრივ განაწილებას. მაგ., სტერეომეტრია, სტერეოსკოპი; 2. სიმყარეს, მუდმივობას. მაგ., სტერეოტიპი.

სტერეოავტოგრაფი (*სტერეო..., ავტო...* და ბერძნ. graphō — ვწერ), მექანიკური დაპროექტების უნივერსალური სტერეოფოტოგრამმეტრიული ხელსაწყო, რ-ის დანიშნულებაა ტოპოგრაფიული რუკების, გეგმებისა და პროფილების მიღება მიწისზედა *ფოტოთეოდოლიტური აგეგმვის* სურათების მიხედვით. ს. შედგება *სტერეოკომპარატორისაგან*, ჭდის გასაკეთებელი სჯხაზავების სისტემისაგან, აგრეთვე საბაზისო და სახაზავი მოწყობილობებისაგან. ს-ის მოდელების უმრავლესობაში საჭდევი სახაზავები გადაადგილდება მხოლოდ *xy*-სიბრტყეში (ბრტყელი დაჭდევა). არსებობს ს-ის ისეთი მოდელებიც, რ-თაც სივრცითი დაჭდევაც შეუძლიათ (მაგ., მცირე ს.).



სტერეოკომპარატორი. სტერეოკომპარატორის სქემა: 1—კარეტა; 2—საჭევარი; 3—ოპტიკური სისტემა; p— მარჯვენა სურათის გრძივი, ხოლო q—განივი პარალაქსები.

სტერეობაზისი (*სტერეო...* და ბერძნ. basis — ფუძე, საფუძველი), მანძილი იმ 2 წერტილს შორის, საიდანაც აკვირდებიან ობიექტს (მაგ., მარჯვ. და მარცხ. თვალით, მარჯვ. და მარცხ. სატელევიზიო მილაკით) ან ობიექტის კინო- თუ ფოტოგადაღებას, რის შედეგად ღებულობენ *სტერეოწყვილის* შემადგენელ 2 გამოსახულებას. ადამიანის მხედველობისათვის ს. არის მანძილი თვალების წინა საკვანძო წერტილებს შორის. ადამიანის თვალების ს-ის სიდიდე მერყეობს 58-იდან 72 *მმ*-მდე. თვალების ს-ის საშ. მნიშვნელობაა 65 *მმ*. ბინოკულარული მხედველობის სიმახვილის გასადიდებლად იყენებენ ოპტ. ხელსაწყოებს (*ბინოკლი, სტერეოსკოპი* და სხვ.), რ-ებიც ხელოვნურად ზრდიან თვალის ს-ს. მაგ., სტერეოსკოპის, ს. (ნახ.) ტოლია სარკეების (2) ცენტრებს შორის მანძილისა.

სტერეოგრაფია (*სტერეო...* და ბერძნ. graphō — ვწერ), მექანიკური დაპროექტებებისათვის განკუთვნილი უნივერსალური სტერეოფოტოგრამმეტრიული ხელსაწყო, რ-საც აქვს გარდაქმნილი სხივთა კონები. მისი დანიშნულებაა 3°-მდე დახრის კუთხის მქონე აეროფოტოსურათების მიხედვით ტოპოგრ. რუკების შედგენა. ს. შექმნა საბჭ. მეცნ. თ. დრობიშევმა XX ს. 50-იანი წწ. დასაწყისში (შემოკლებული სახელწოდებაა სდ—ს. დრობიშევისა).

სტერეოეფექტი (*სტერეო...* და ლათ. effectus — მოქმედება, შედეგი), ობიექტის სივრცითი აღქმა მისი ორი ბრტყელი პერსპექტიული გამოსახულების განხილვისას. ს. წარმოიშობა შემდეგი ძირითადი პირობების დაცვისას: თითოეულ თვალი აღიქვამს მხოლოდ ერთ გამოსახულებას; გამოსახულებები თვალების მიმართ ისეა განლაგებული, რომ შესაბამისი (ერთსახელიანი წერტილები) მხედველობითი სხივები გადაიკვეთოს; გამოსახულებათა სხვადასხვანაირი მასშტაბურობა არ აღემატება 16%. განასხვავებენ სწორ, შებრუნებულსა და ნულოვან ს-ს. სწორი ს. შეესაბამება ობიექტი წერტილთა ნამდვილ სივრცულ მდებარეობას და წარმოიქმნება, თუ მარცხ. და მარჯვ.. გამოსახულებები განიხილება შესაბამისად მარცხ. და მარჯვ. თვალით. გამოსახულებათა ადგილების შეცვლა იწვევს შებრუნებულ ს-ს, ხოლო მათი მობრუნება 90°-ით — ნულოვან ს-ს (ბრტყელ აღქმას). სტერეოსკოპის გამოყენება აადვილებს ს-ის მიღებას.

სტერეოიზომერია, სივრცითი იზომერია, *იზომერიის* სახე. ს. განპირობებულია მოლეკულებში ატომთა სხვადასხვაგვარი სივრცითი განლაგებით. ცნობილია ს-ის ორი სახე: გეომ. და ოპტიკური იზომერია. იხ. აგრეთვე *სტერეოქიმია*.

სტერეოკომპარატორი (*სტერეო... კომპარატორი*), სტერეოფოტოგრამმეტრიული ხელსაწყო, რ-ის დანიშნულებაა სურათზე მდებარე წერტილების X, Y კოორდინატთა გაზომვა. კონსტრუქციულად იგი ორგვარია. ერთში მარცხ. და მარჯვ. სურათების კარეტები ცალ-ცალკე (დამოუკიდებლად) გადაადგილდებიან, ხოლო მეორეში — ერთობლივად (დამოკიდებულად). პირველ შემთხვევაში ზომავენ ორივე სურათზე მდებარე ერთსახელიანი წერტილების X, Y კოორდინატებს, მეორეში კი — წერტილის კოორდინატებს ერთ-ერთ სურათზე, აგრეთვე გრძივსა (p) და განივ (q) პარალაქსებს. ე. ი. მეზობელ სურათებზე ერთსახელიანი წერტილისათვის გაზომილ კოორდინატთა სხვაობებს (გრძივი — აბსცისთა სხვაობა, განივი — ორდინატთა სხვაობა). ნახაზზე ნაჩვენებია ისეთი ს-ის სქემა, რ-ის კარეტები ერთობლივად გადაადგილდებიან. ს-ს იყენებენ სამეცნ. კვლ. და კარტოგრაფიულ სამუშაოებში.

სტერეოფეტრი (*სტერეო...* და... *მეტრი*), ოპტიკურ-მექანიკური ხელსაწყო, რ-ი დანიშნულებაა მიწისზედა ფოტოსურათების, აეროფოტოსურათებისა და კოსმოსური ფოტოსურათების მიხედვით ობიექტთა გე

მოსახულების გაზომვა მათი სტერეოსკოპული განხილვის პროცესში (იხ. *სტერეოსკოპი*). დანიშნულების მიხედვით ს. სამგვარია: ტოპოგრაფიული, პრეციზიული და გეოლოგიური. პირველს იყენებენ რელიეფის დასახატავად და გასაშიფრავად, მეორეს — ზუსტი ფოტოგრამმეტრიული განსაზღვრისათვის, ხოლო გეოლოგიურს — ფოტოსურათების მიხედვით ქანების განლაგების ელემენტების გასაზომად და სხვ.

სტერეომეტრია (*სტერეო...* და *... მეტრია*), ელემენტარული *გეომეტრიის* ნაწილი, რ-იც სწავლობს სივრცით ფიგურებს, განსხვავებით *პლანიმეტრიისაგან*, რ-იც შეისწავლის სიბრტყეზე მდებარე ფიგურებს.

სტერეოპროექტორი (*სტერეო...* და ლათ. projicio — წინ ვაგდებ), უნივერსალური სტერეოფოტოგრამმეტრიული ხელსაწყო, რ-ის დანიშნულებაა ტოპოგრაფიული რუკების შედგენა 3°-მდე დახრის კუთხის მქონე აეროფოტოსურათების მიხედვით. ს. შემოთავაზებულია გ. რომანოვსკის მიერ 1950 (შემოკლებული სახელწ. სპრ — სტერეოპროექტორი რომანოვსკისა). ზოგად შემთხვევაში ს-ის პროექციათა ცენტრები არ ემთხვევა აეროფოტოსურათების პროექციათა ცენტრებს. ეს იწვევს მაპროექციებელ სხივთა კონის გარდაქმნას, რის შედეგად მოდელის ვერტ. მასშტაბი არაა ჰორიზ. მასშტაბის ტოლი. მასშტაბების შეუსაბამობას ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში. დახრის კუთხეთა გაველენას მხედველობაში იღებენ საკორექციო მექანიზმების მეშვეობით; შესწორება შეაქვთ იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთს არ ემთხვევა ორი კარდანის ცენტრები. ობიექტივი გადაადგილდება δ სიდიდით.

სტერეორეგულარული პოლიმერები, მაღალმოლეკულური ნაერთები, რ-თა ხაზოვანი მოლეკულები შედგება სივრცეში ერთნაირად ან სხვადასხვაგვარად, მაგრამ გარკვეული კანონზომიერებით განლაგებული რგოლებისაგან. ჩვეულებრივ პოლიმერებთან შედარებით ს. პ-ში პოლიმერების სტერეორეგულარობა ხშირად მკვეთრად აუმჯობესებს მათ მექან. და სხვა თვისებებს.

სტერეოსკოპი (*სტერეო...* და *...სკოპი*), ოპტიკური ხელსაწყო, რ-ის მეშვეობით ადგილის ან ცალკეული საგნების ფოტოსურათებს აღიქვამენ სივრცულად. ფოტოსურათის მისაღებად ობიექტს იღებენ ორი წერტილიდან. მიღებულმა გამოსახულებებმა წყვილ-წყვილად უნდა გადაფარონ ერთმანეთი, რაც უზრუნველყოფს ობიექტების გადაცემას იმის შესაბამისად, თუ როგორ ხედავს მათ ცალ-ცალკე ადამიანის მარჯვ. და მარცხ. თვალი. ყველა ს. ისეა მოწყობილი, რომ ობიექტთა გამოსახულებები აღიქმება შეთავსებულად. ერთ შემთხვევაში ამისათვის იყენებენ ლინზებს, მეორე შემთხვევაში — ამრეკლ სარკეებს. ს-ს უმთავრესად იყენებენ ფოტოსურათების გაშიფრავად. ცნობილია ასეთ ხელსაწყოთა 100-მდე კონსტრუქცია. მაგიდისა და სტაციონარული ს-ების ნაწილს ისეთნაირად ამზადებენ, რომ ერთდროულად შეიძლებოდეს დაკვირვება ფოტოსურათების რამდენიმე სტერეოწყვილზე (ე. წ. გამშლელი ს.). სამეცნ.-ტექ. ფოტოსურათების დეტალური შესწავლისათვის იყენებენ სტერეომიკროსკოპს, კარტოგრაფიული მიზნებისათვის კი — სტერეოსკოპ-პანტოგრაფს.

სტერეოსკოპული გამოსახულება, გამოსახულება, რ-იც ქმნის ილუზიას თითქოს განსახილველი სურათი მოცულობითსივრცითია. *სტერეოწყვილის* ორი გამოსახულება, განხილული ცალ-ცალკე მარცხენა და მარჯვ. თვალით, დამკვირვებლის ცნობიერებაში ერთიანდება მთლიან დასანას სახედ. ასეთი შეერთება რომ განხორციელდეს, აუცილებელია უზრუნველვყოთ თითოეული თვალის ბადურაზე მისთვის განკუთვნილი გამოსახულების დაგეგმილება. ამ მიზნით გამოსაყენებელ მოწყობილობათა მაგალითია *სტერეოსკოპი*.

სტერეოსკოპული კინო, კინემატოგრაფიის სახეობა, რ-ის მეთოდები და ტექ. საშუალებები მაყურებელს უქმნის ეკრანზე დანახული გამოსახულების მოცულობითი აღქმის ილუზიას. ბუნებრივ პირობებში ადამიანის მარჯვ. და მარცხ. თვალი ხედავს სივრცითს საგანს თავისი *რაკურსით*. სტერეოეფექტი წარმოიქმნება ერთი საგნის 2 გამოსახულების ერთ გამოსახულებად შერწყმის შედეგად. ს. კ. ფაქტობრივად ზუსტად იმეორებს *ბინოკულარული მხედველობის* აქტს. სტერეოეფექტის მისაღებად საჭიროა, რომ გამოსახულებები ერთმანეთისაგან განსხვავებული იყოს პარალაქსით, ე. ი. კუთხით, რ-ითაც ხედავს საგანს თითოეული თვალი. ს. კ. სარგებლობს პარალაქსის ცვლილებით კინოგადაღებისას და „გამოაქვს" ცალკეული საგნები დარბაზში, უახლოებს მათ მაყურებელს. ს. კ-ს საშუალებები უზრუნველყოფს მაყურებლისათვის ერთი და იმავე ობიექტის იმ ცალკეული გამოსახულებების ხილვას ეკრანზე ორივე თვალით, რ-ებიც მიღებულია 2 სხვადასხვა წერტილიდან კინოგადაღებით. სტერეოსკოპული ფილმის აღწარმოების დროს შეულლებულ კადრებს ერთდროულად 2 ობიექტივით აპროექციებენ ეკრანზე, რაც იწვევს მათ ზედდებას. იმისათვის, რომ მაყურებელმა ეკრანზე მხოლოდ ერთ-ერთი თვალისათვის განკუთვნილი გამოსახულება დაინახოს, აუცილებელია ფილმის ჩვენების დროს გამოსახულებათა სეპარაციის უზრუნველყოფა, ე. ი. თითოეული თვალით მხოლოდ ერთი, ამ თვალისათვის მისი ხედვის წერტილიდან გადაღებული გამოსახულების ცალკე აღქმა. ცნობილია გამოსახულების სეპარაციის 3 მეთოდი: ორი ინდივიდ. მეთოდი (ანაგლიფური და პოლარიზაციული) და ერთი კოლექტ. (რასტრული) მეთოდი. ინდივიდ. მეთოდებით სარგებლობისას იყენებენ სათვალეს. ფერადი ანაგლიფების მეთოდის გამოყენებისას შავ-თეთრ ფირზე იღებენ ერთი და იმავე ობიექტის გვერდიგვერდ განლაგებულ 2 შეულლებულ გამოსახულებას, რ-ებსაც სხვადასხვა პარალაქსი აქვთ. მეზობელ გამოსახულებათა დაპროექციება ხდება დამატ. ფერებით (ყვითელი და ლურჯი) სხვადასხვანაირად შეღებილი შუქფილტრების გავლით. ეს გამოსახულებები აღიქმება ეკრანიდან სათვალით, რ-საც აქვს 2 თვალისათვის განსხვავებული იმავე ფერების შუქფილტრები. ამის შედეგად გამოსახულება ეკრანიდან აღიქმება როგორც შავ-თეთრი და სტერეოსკოპული. ფერადი ანაგლიფების მეთოდი ვერ გავრცელდა ფართოდ. პოლარიზაციული მეთოდის გამოყენებისას მთელ ეკრანზე ერთდროულად აპროექციებენ 2 პარალაქსიან გამოსახულებას ისეთი ფილტრ-პოლაროიდების მეშვეობით, რ-თა პოლარიზაციის სიბრტყეები გადაწეულია ერთმანეთის მიმართ 90°-ით. მაყურებლები პოლარიზაციული სათვალით, რ-საც აქვს ანალოგიურად განლაგებული პოლაროიდები, მარცხენა თვალით ხედავენ ერთ გამოსახულებას, მარჯვ. თვალით კი — მეორეს (ნახ. 1).


ს. კ-ს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭ. კინემატოგრაფისტებმა. 1935 ს. ივანოვმა დაამუშავა სტერეოსკოპული კინოდაპროექციების ახ. მეთოდი, რ-ის საფუძველია ლინზებიანი რასტრული ეკრანი (ნახ. 2). ეს ეკრანი უზრუნველყოფს მაყურებლის თვალების დონეზე მდებარე ჰორიზ. სიბრტყეში ისეთი არეების არსებობას, რ-ებიც ხილულად აქცევენ *სტერეოწყვილის* მხოლოდ მარჯვ. ან მარცხ. გამოსახულებას (ნახ. 3). ს. კ-ს ერთ-ერთი პიონერი იყო დ. *კაკაბაძე*, რ-მაც 20-იან წლებში შექმნა სტერეოკინოს საკუთ. მეთოდი (მიღებული აქვს ევრ. მრავალი ქვეყნის პატენტები).

ს. კ-ს უსათავალო მეთოდი (რასტრი მხოლოდ ეკრანზეა) იყენებს სტერეოსკოპული გამოსახულებების 1 წყვილს. ამ მეთოდით სარგებლობისას მაყურებელი იძულებულია უძრავად იყოს. ამის თავიდან აცილება შეიძლება ე. წ. ინტეგრალური მეთოდის გამოყენებით, რ-ის დროს ეკრანზე ერთდროულად 10-მდე ობიექტივით აპროექციებენ მრავალი წერტილიდან გადაღებული ერთი და იმავე ობიექტის თანამიმდევრულად განლაგებული გამოსახულებების დიდ სერიებს.


იკვლევენ ს. კ-ს შესაძლებლობებს *ჰოლოგრაფიის* პროცესთან დაკავშირებით. თუ ლაზერის სხივით გადასაღებ ობიექტებს გავანათებთ და შემდგომ ამავე გამოსხივებით გამოსახულებას დავაპროექციებთ, შესაძლებელია სინათლის ინტერფერენციის ხარჯზე მივიღოთ სტერეოსკოპული კინოგამოსახულება. სსრკ-ში მიღებულია ს. კ-ის გადაღებისა და ჩვენების 2 მეთოდი: რასტრული (უსათვალოდ) და პოლარიზაციული (სათვალით). ამ მეთოდებით სარგებლობისას იყენებენ 70 *მმ*-იან კინოფირს. მსოფლიოში ყველა მოქმედ ს. კ-ს სისტემას აქვს არსებითი ნაკლი, რ-იც ზღუდავს მის გამოყენებას.

ლიტ.: Валюс Н. А., Стереоскопия, М., 1962; Голдовский Е. М., Основы кинотехники, М., 1965.


ბ. ფალიაშვილი.




სტერეოსკოპული კინო: ნახ. 1. პოლარიზაციული ხერხით მომუშავე საპროექციო დანადგარის სქემა: 1—პოლაროიდული ფილტრი; 2—პროექტორი; 3—ეკრანი; 4—პოლაროიდული ფილტრის მქონე სათვალე.



სტერეოსკოპული კინო. ნახ. 2. ლინზური რასტრის მეშვეობით მიღებული პროექციის სქემა: E—ეკრანი; R—რასტრი; S—სინათლის წყარო; S_1S_2—მოცულობითი ხედვითი ზონები; O—რასტრის ელემენტების თავმოყრის წერტილი.



სტერეოსკოპული კინო. ნახ. 3. მაყურებელთა დარბაზში სავარძლების განლაგება, როცა მარცხენა და მარჯვენა თვალის ხედვის ზონების წყვილი ყოველთვის გადის სავარძლის საზურგის შუა ნაწილზე: 1—სტერეოეკრანი; 2—მარცხენა თვალის ხედვის ზონა; 3—მარჯვენა თვალის ხედვის ზონა; O—რასტრის ელემენტების თავმოყრის წერტილი.




სტერეოსკოპული კინოგადასაღები აპარატი, რომლითაც გადაღება ხდება 35 მმ-იან კინოფირზე (სსრკ).

სტერეოსკოპული კინოგადასაღები აპარატი, ორობიექტივიანი *კინოგადასაღები აპარატი*, რ-საც იყენებენ *სტერეოსკოპული კინოგადაღებისათვის*. ასეთი კინოაპარატის საფუძველია კონსტრუქციულად გადაკეთებული რომელიმე პროფ. კინოგადასაღები აპარატი. ნახ. მოცემულია ს. კ. ა-ის საერთო ხედი. მისი ოპტ. სისტემა შეიცავს 2 პრიზმულსაცმიან ობიექტივს. გადაღების პროცესში კინოფირზე ღებულობენ *სტერეოწყვილის* მარჯვ. და მარცხ. გამოსახულებებს, რ-ებიც ერთი მეორის თავზეა განლაგებული. ობიექტივების ყოველ წყვილს აქვს მოწყობილობა, რ-იც საშუალებას იძლევა ერთდროულად შეიცვალოს ობიექტივების ფარდობითი ნახვრეტები და მოხდეს მათი დაფოკუსება. 70 *მმ*-იან კინოფირზე სტერეოგადაღებისას მარჯვ. და მარცხ. გამოსახულება განლაგებულია ერთიმეორის გვერდით (კინოფირის სიგანეზე).

სტერეოსკოპული კინოგადაღება, *კინოგადაღება*, რ-ის დროს ობიექტს ერთდროულად იღებენ 2 ან რამდენიმე ხედვის წერტილიდან ისე, რომ კინოფირზე მიიღონ *სტერეოწყვილის* შემქმნელი გამოსახულება (იხ. *სტერეოსკოპული კინო*). ერთობიექტივიანი *კინოგადასაღები აპარატით* ს. კ-ისას (ერთმანეთისადმი რომელიმე კუთხით დაყენებული 2 სარკის გამოყენებით) ობიექტს განიხილავენ 2 ხედვის წერტილიდან, რ-თა შორის მანძილი შეადგენს გადაღების ბაზისს (სტერეობაზისს). კინოფირზე ფიქსირდება სტერეოწყვილის 2 (მარცხ. და მარჯვ.) გამოსახულება (სტერეოგრამა). ს. კ. 2 ობიექტივის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს ორნაირად: სინქრონულად მომუშავე ერთობიექტივიანი 2 კინოაპარატით 2 ცალკეულ კინოფირზე ან ორობიექტივიანი *სტერეოსკოპული კინოგადასაღები აპარატით* ერთ საერთო კინოფირზე. ორობიექტივიანი კინოაპარატის სტერეობაზისის სიდიდის შესაცვლელად იყენებენ გასაწევი სარკეების სისტემას. კინოგადაღება მრავალი სტერეოწყვილის გამოყენებით ხდება საერთო კინოფირზე ისეთი კინოაპარატით, რ-საც აქვს მრავალი (10-მდე) ობიექტივი. პანორამოგრამული გადაღებისას კინოფირზე წარმოიქმნება ობიექტის ერთიმეორეში გარდამავალი მრავალი გამოსახულება.

სტერეოსკოპული კინოსაპროექციო აპარატურა, მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა სტერეოფილმის კაღრების მარჯვენა და მარცხენა გამოსახულებების (*სტერეოწყვილების*) პროექციული შეთავსება ეკრანზე და ამ გამოსახულებათა ცალ-ცალკე (შესაბამისად მაყურებლის მარჯვ. და მარცხ. თვალით) ხილვის უზრუნველყოფა (იხ. *სტერეოსკოპული კინო*). თუ სტერეოფილმის კადრები განლაგებულია 2 ცალკეულ კინოფირზე, მათი დაპროექტება ხდება ჩვეულებრივი 2 სინქრონულად მომუშავე კინოპროექტორით, ხოლო თუ კადრები 1 კინოფირზეა, მაშინ იყენებენ ორობიექტივიან კინოპროექტორს, რ-საც აქვს ოპტ. საცმი სტერეოკადრის შეუღლებულ გამოსახულებათა შესათავსებლად ეკრანზე. სტერეოპროექციის ანაგლიფური და პოლარიზაციული ხერხის გამოყენებისას გამოსახულებათა დასაცალკეევებლად (სასეპარაციოდ) მაყურებლები სარგებლობენ სპეც. სათვალით, კინოპროექტორების ობიექტივებზე კი აყენებენ შესაბამისად ფერად და პოლარიზაციო *შუქფილტრებს*. სტერეოპროექციის უსათვალო ხერხები მოითხოვს კინოპროექტორების დაყენებას ზუსტად განსაზღვრულ მდგომარეობაში ეკრანის მიმართ.



სტერეოფონიკური ბგერათჩაწერა. 3-არხიანი სტერეოფონიკური ჩაწერისა და აღწარმოების სქემა: 1—მიკროფონი; 2—ჩაწერის არხი; 3—ბგერათმმატარებელი; 4—ფონოგრამის მოძრაობის მიმართულება; 5—ხმის ჩასაწერი ბილიკები; 6—ფონოგრამა; 7—აღწარმოების არხი; 8—ხმამაღლამოლაპარაკე

სტერეოსკოპული ტელევიზია, *ტელევიზიის* სისტემა, რ-იც მაყურებელს უქმნის დასაკვირვებელი გამოსახულების მოცულობითი აღქმის შთაბეჭდილებას. მოცულობითი აღქმა ემყარება მხედველობის ბინოკულარულობას. ს. ტ-ში ერთი და იმავე ობიექტის გამოსახულება გადაიცემა გარკვეული მანძილით დაშორებული ორი პოზიციიდან (გადაცემის ბაზისი), ე. ი. მიიღება ობიექტის ორი გამოსახულება (ე. წ. *სტერეოწყვილი*). მიმღებში სტერეოწყვილის მარცხ. გამოსახულება მოქმედებს მაყურებლის მარცხ. თვალზე, ხოლო მარჯვ. გამოსახულება — მარჯვ. თვალზე. არსებობს შავ-თეთრი და ფერადი მოცულობითი ტელევიზიის რამდენიმე სისტემა.

სტერეოწყვილების გადაცემა შეიძლება ერთდროულად ან მიმდევრობით. ერთდროული გადაცემისას სტერეოწყვილის სიგნალები გადაიცემა ან 2 *სატელევიზიო გადამცემი კამერით* (კავშირგაბმ. 2 სხვადასხვა არხით) ან ერთი კამერით, რ-საც აქვს ორი *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკი* (კავშირგაბმ. ერთი არხით). თანამიმდევრული გადაცემისას ხდება გამოსახულების სტერეოწყვილის ოპტ. სისტემით დაპროექციება ერთი გადამცემი ელექტრონმილაკის ფოტოკათოდზე (ერთმანეთის მეზობლად ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად), შემდეგ კი — გადაიცემა მიმდევრობით კავშირგაბმ. ერთი არხით. მიმღებში გამოსახულების გასაყოფად იყენებენ სხვადასხვა მეთოდს. ს. ტ-ის განვითარების პერსპექტივა დაკავშირებულია მრავალარაკურსიანი და ჰოლოგრაფიული სისტემების დამუშავებასთან (იხ. *ჰოლოგრაფია*).

ლიტ.: Костыков Ю. В., Крыжановский В. Д., Телевидение, М., 1972; Телевидение, под ред. П. В. Шмакова, М., 1970.

გ. კიკვილაშვილი.

სტერეოსკოპული ფოტოაპარატი, *ფოტოგრაფიული აპარატი*, რ-იც საშუალებას იძლევა ერთდროულად მიღებულ იქნეს ერთი ობიექტის 2 ფოტოსურათი (ე. ი. სტერეოწყვილი). აქვს 2 იდენტური ობიექტივი, რ-ებიც განლაგებულია ერთმანეთისაგან 65 *მმ*-ის მანძილზე (საშ. მანძილი ადამიანის თვალის გუგებს შორის, ე. წ. თვალის *სტერეობაზისი*).

სტერეოტიპი (*სტერეო...* და ბერძნ. typos — ანაბეჭდი), მაღალი ბეჭდვის საბეჭდი ფორმის (ანაწყობი და კლიშე) პირი — 2-იდან 25,1 *მმ*-მდე სისქის მონოლითური ფირფიტა. ს. პირველად გამოჩნდა XVIII ს-ში. ფართოდ იყენებენ მრავალტირაჟიანი გამოცემების დასაბეჭდად. დამზადების ხერხის მიხედვით (იხ. *სტერეოტიპია*) ს. არის სხმული (ანუ ჰარტული), გალვანოპლასტიკური (ანუ ელექტროლიზური) და წნეხილი, მასალის მიხედვით — ლითონის, პოლიმერული და ლითონ-პოლიმერული. ხისტ ს-ს (ლითონისას და ლითონ-პოლიმერულს) *საბეჭდი მანქანის* ტიპის მიხედვით ამზადებენ ბრტყელს (ტიგელიანი და ბრტყელსაბეჭდი მანქანებისათვის) ან რკალისებრს (ე. წ. მრგვალს ანუ როტაციულს — როტაციული მანქანებისათვის).

სტერეოტიპია, მაღალი ბეჭდვის ფორმების პირების — *სტერეოტიპების* — დამზადების პროცესი; მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დამატრიცებას, მატრიციდან სტერეოტიპის დაშზადებასა და მის გამოყვანას; იყენებენ დიდტირაჟიან გამოცემათა დასაბეჭდად, სხვადასხვა პუნქტში გაზეთების ერთდროული ბეჭდვისათვის (ბეჭდვის დეცენტრალიზაცია), განმეორებითი გამოცემებისათვის (შინაარსის შეუცვლელად) და როტაციულ საბეჭდ მანქანებზე ბეჭდვისათვის. სტერეოტიპებს ამზადებენ ჩამოსხმით, ელექტროლიზის ხერხითა და დაწნეხით. ჩამოსხმითი ხერხის დროს მუყაოს მატრიციან ყალიბში ჩასხამენ 300—320°C ტემპ-რის მქონე თხევად ჰარტს (იხ. *სასტამბო შენადნობები*). 1 მატრიციდან შეიძლება 15—17 სხმულის გაკეთება. ჩამოსხმის შემდეგ ხდება სტერეოტიპების მექან. გამოყვანა (შეზუსტება, წახნაგების დამუშავება და ა. შ.). ბრტყელი და როტაციული სტერეოტიპების უმრავლესობას ჩამოასხამენ ნახევრად ავტომ. მოწყობილობაზე ან ავტომატზე. დიდ საგაზეთო წარმოებაში იყენებენ ნაკადურ ხაზებს, რ-ებიც უზრუნველყოფენ დიდჩარულ ავტომ. ჩამოსხმას და სტერეოტიპების მექან. დამუშავებას. ელექტროლიზის ხერხის გამოყენებისას სტერეოტიპს ღებულობენ მატრიცაზე ლითონის (ჩვეულებრივ სპილენძის) შრის დალექვით. ასეთი სტერეოტიპები მექანიკურად ისევე მუშავდება, როგორც ჩამოსხმით მიღებული სტერეოტიპები. დაწნეხით სტერეოტიპების დამზადებისას რელიეფური ფორმის მიღების პროცესში მატრიცა ასრულებს შტამპის დანიშნულებას. 1 მატრიციდან შეიძლება რამდენიმე სტერეოტიპის მიღება. დამუშავებულია გამდნარი პლასტმასიდან პოლიმერული სტერეოტიპების მიღების სამსხმელო ხერხი, რ-იც რამდენჯერმე უფრო მწარმოებლურია დაწნეხაზე. ს-ის ხერხის შერჩევისას ითვალისწინებენ ძირითადად გამოცემის გამოშვების ვადას, გამოსახულების ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნასა და ეკონ. მოსაზრებებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია სხმული ლითონის სტერეოტიპები, რ-ებითაც ბეჭდავენ გაზეთებს, წიგნებს, კალენდრებს და სხვ.

ლიტ.: Валерштейн И. Я., Дадыдов И. А., Трофимова О. П., Полимерные стереотипы, М., 1972.

სტერეოფონიკური ბგერათჩაწერა, ბგერათჩაწერის სახეობა, რ-ის დროსაც *ფონოგრამა* შეიცავს ინფორმაციას ჩაწერის მომენტში ბგერის წყაროების სივრცული განლაგების შესახებ. სტერეოფონიკური ბგერათჩანაწერის აღწარმოებისას მსმენელი ბგერებს აღიქვამს უფრო ბუნებრივად. ასეთი ეფექტის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა მიკროფონიდან მიღებული ელექტრული სიგნალების ცალ-ცალკე (რამდენიმე არხით) ჩაწერა და მათი აღწარმოება ერთმანეთისაგან განცალკევებული რამდენიმე ხმამაღლამოლაპარაკით (ნახ.). ბგერათა აღწარმოების დროს ხმამაღლამოლაპარაკების განლაგება უნდა შეესაბამებოდეს ჩაწერის მომენტში მიკროფონების განლაგებას (ერთნაირად უნდა განლაგდეს „მარჯვენა" და „მარცხენა" მხარეები). სტერეოფონიკური ბგერაგადაცემის ხარისხი დამოკიდებულია ჩაწერისა და აღწარმოების არხების სიმრავლეზე. 5 არხს იყენებენ ხმის ჩასაწერად *პანორამულ კინოსა* და *ფართოფორმატიან კინოში*. საყოფაცხოვრებო დანიშნულების სტერეოფონიკურ აპარატურაში (*მაგნიტოფონებში*) ჩვეულებრივ გამოყენებულია 2 არხი. მაგრამ XX ს. 70-იან წლებიდან იყენებენ აგრეთვე 4-არხიან ანუ კვადრაფონიკურ ბგერათჩაწერას. ასეთი ჩანაწერის აღწარმოების დროს ორ ხმამაღლამოლაპარაკეს ათავსებენ მსმენელის წინ, ხოლო დანარჩენს ორს — მის უკან.

ლიტ.: Высоцкий М. З., Системы кино и стереозвук, М., 1972; Фурдуев В., Стереофония и многоканальные звуковые системы, М., 1973.

გ. კიკვილაშვილი.

სტერეოფონიკური რადიომაუწყებლობა, ბგერითი (უმთავრესად მუსიკალური) პროგრამების რადიოთი გადაცემა, რ-ის დროსაც რადიომსმენელს შეუძლია განასხვაოს ბგერის ძალა, მისი სიმაღლე, ტემბრი და იქონიოს წარმოდ-

გენა ბგერის წყაროების სივრცული განლაგების შესახებ. ასეთი გადაცემის დროს ბგერადობა მეტად ბუნებრივია (იხ. *ბინაურული ეფექტი, სტერეოფონიკური ბგერათჩაწერა*). ს. რ. ხორციელდება ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონში. ს. რ-ის ორკორხიანი სისტემით გადაცემის დროს გადამტანი სიხშირის რხევები გადამცემში კომპლექსური სტერეოფონიკური სიგნალით (კს) სიხშირის მიხედვით მოდულირდება. ასეთი სიგნალები [„მარჯვენა" (*A*) და „მარცხენა" (*B*)] მიიღება ორი ჯგუფის *მიკროფონებისაგან*, რ-ებიც სათანადოდ ორიენტირებულია ბგერის წყაროების მიმართ. ს. რ-ში გამოყენებულია სტერეოფონიკური მიმღებები, რ-თაც ჩვეულებრივი *რადიოსამაუწყებლო მიმღებისაგან* განსხვავებით აქვთ დამატებითი ელემენტი — სტერეოდეკოდერი. ამ ელემენტის დანიშნულებაა კსს-იდან *A* და *B* სიგნალების გამოყოფა.

სტერეოფოტომაჩამეტრიული ხელსაწყოები, ოპტიკურ-მექანიკური და ელექტრონული მოწყობილობები, რ-ებიც *სტერეოწყვილის* საშუალებით განსაზღვრავენ გამოსახული ობიექტების კოორდინატებს, აგრეთვე გამოსახავენ ტოპოგრაფ. გეგმებსა და რუკებს.

სტერეოქიმია, ქიმიის დარგი, რ-იც შეისწავლის მოლეკულების სივრცითს აღნაგობას და ამ აღნაგობის კავშირს ფიზ. თვისებებსა (სტატ. ს.) და ქიმ. რეაქციათა მიმართულებასა და სიჩქარესთან (დინამ. ს.). ს-ს საფუძველი ჩაეყარა ლ. პასტერის (1848; ღვინომჟავას იზომერია), ი. ვანტ-ჰოფის და ჟ. ლე ბელის შრომებში. ვანტ-ჰოფმა და ლე ბელმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთდროულად გამოთქვეს ფუნდამენტური სტერეოქიმ. იდეა, რ-ის მიხედვით ნაჯერი ნახშირბადის ატომის ოთხივე ვალენტობა მიმართულია წესიერი ტეტრაედრის წვეროებისაკენ (1874).

ს. სწავლობს სივრცითს იზომერებს (სტერეოიზომერია), რ-თაც აქვთ ერთნაირი ქიმ. აგებულება და შედგენილობა, ხოლო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ატომთა სივრცითი განლაგებით. სტერეოიზომერიას ყოფენ ოპტ. (სარკულ) იზომერიად და დიასტერეოიზომერიად. ოპტ. იზომერები (ანტიპოდები) სხივის პოლარიზაციის სიბრტყეს აბრუნებენ სხვადასხვა მიმართულებით. დიასტერეოიზომერები ოპტ. ანტიპოდებს არ წარმოადგენენ. დიასტერეოიზომერიის კერძო სახეა გეომ. იზომერია (*ცის-ტრანს-იზომერია*); ს-ის მნიშვნელოვანი დარგია *კონფორმაციული ანალიზი*. თანამედროვე ს. ფართოდ იყენებს ფიზ. და ფიზ.-ქიმ. მეთოდებს. მაგ., რენტგენო- და ელექტრონოგრაფიელ, ბირთვული მაგნ. რეზონანსის, ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სპექტროსკოპიულ მეთოდებს, ოპტ. აქტიურობის გაზომვას და სხვ. თანამედროვე ს-ს აქვს დიდი პრაქტ. მნიშვნელობა პოლიმერების ქიმიასა და ტექნოლოგიაში, ბიოქიმიასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში, მედიცინასა და ფარმაკოლოგიაში. მრავალი პოლიმერის ფიზ.-ქიმ. თვისებები დამოკიდებულია მათ სივრცითს აღნაგობაზე. სივრცითი აგებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბევრი სამკურნ. პრეპარატის ფიზიოლ. აქტიურობაზე და სხვ. ს. თეორიულ ორგ. და არაორგ. ქიმ. პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა (მაგ., ორგ. რეაქციების მექანიზმის შესწავლისას). ოპტ. აქტიურობის გაზომვა ოპტიკურად აქტ. ნივთიერებების რაოდენობრივი განსაზღვრის უმთავრესი მეთოდია შაქრის მრეწველობაში, სამკურნ. საშუალებათა და სურნელოვან ნივთიერებათა წარმოებაში.

ლიტ.: Илиел Э., Основы стереохимии, пер. с англ., М., 1971.

სტერეოფუვილი, ერთი და იმავე ობიექტის 2 ისეთი ბრტყელი პერსპექტიული გამოსახულების ერთობლიობა, რ-ებიც მიღებულია 2 სხვადასხვა ხედვის წერტილიდან. ს-ს იყენებენ ობიექტის სივრცული გამოსახულების შესაქმნელად *სტერეოსკოპულ კინოში*, სტერეოფოტოგრაფიაში, *სტერეოსკოპულ ტელევიზიაში*, აგრეთვე მეცნ. მიზნით. ს-ს ღებულობენ სტერეოსკოპული კინოგადასაღები აპარატის, სტერეოსკოპული ფოტოაპარატის, 2 *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმიმღების* ან ჩვეულებრივი ფოტო- და კინოაპარატის ობიექტივის სპეც. მისადგამების მეშვეობით.

სტერიდები, უმაღლესი ცხიმოვანი მჟავების რთული ეთერები *სტერინებთან*; ზოგჯერ სტეროიდების ჯგუფური სახელწოდება.

სტერილიზაცია (<ლათ. sterilis — უნაყოფო), 1. სხვადასხვა ნივთიერების, საგნის, საკვები პროდუქტის სრული განთავისუფლება ცოცხალი მიკროორგანიზმებისაგან. ს-ის ყველაზე გავრცელებული მეთოდია მაღალი ტემპ-რის ზემოქმედება, სითხეებისთვის — ფილტრაცია. ბაქტერიების, საფუარი და მიკროსკოპული სოკოების უმეტესობის ვეგეტატიური უჯრედები იღუპება 50—70°C ტემპრაზე 30 *წთ* მანძილზე, ზოგიერთი ბაქტერიის სპორები კი ხანგრძლივ დუღილს უძლებს. ს. მშრალი სიცხით ტარდება საშრობ კარადებში 130 — 165°C ტემპრაზე 2 *სთ* მანძილზე. ამ მეთოდით ასტერილებენ ლაბორ. ჭურჭელს, ლითონის საგნებს, ზოგიერთ ფხვნილისებრ ნივთიერებას. ს. წყლის ორთქლით წნევის ქვეშ ტარდება *ავტოკლავებში*. ქირურგ. ინსტრუმენტების, შესახვევი და ნაკერებისათვის განკუთვნილი მასალის ს. ჩვეულებრივ ტარდება 1 ატ-ზე 30 *წთ* მანძილზე. ზოგიერთი სითხის ან ხსნარის ს. არ შეიძლება მაღალ ტემპ-რაზე, რადგან ხდება მათი აორთქლება, ვიტამინების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ინაქტივაცია, ცილების დენატურაცია და ა. შ. ასეთ შემთხვევებში მიმართავენ „ცივ" ს-ს, რ-ის დროსაც სითხეებს ფილტრავენ წვრილფორებიან ბაქტერიულ ფილტრებში. მაგარ საგნებს (რ-ებიც გახურებით ფუჭდება) ამუშავებენ სპირტით, სულემის ხსნარით და სხვ.; ასეთსავე შემთხვევებში იყენებენ სხივურ ს-ს. შენობების (საოპერაციო ოთახი და სხვ.) ჰაერში მიკროორგანიზმების მოსასპობად იხმარება ულტრაიისფერი გამოსხივება, რ-საც ბაქტერიციდული მოქმედება აქვს. ს-ს ატარებენ აგრეთვე კოსმ. ხომალდებზე, რათა თავიდან აიცილონ სხვა პლანეტების გაბინძურება დედამიწის მიკროორგანიზმებით. ს-ს ფართოდ იყენებენ მიკრობიოლოგიაში, მედიცინაში.

კვების მრეწველობაში მიმართავენ ისეთი საკვები პროდუქტების ს-ს, რ-ებიც ხანგრძლივად შენახვისთვის არის განკუთვნილი. საწარმოო პირობებში ს. ხორციელდება ავტოკლავებში. დასაკონსერვებელ პროდუქტებს ახურებენ ორთქლით, ცხელი წყლით ან მაღალი სიხშირის (10 *მგც*) ცვლადი დენით (100—130°C-მდე). ე. წ. ათერმული ს. ემყარება ს-თვის განკუთვნილ პროდუქტებზე მაიონიზებელი გამოსხივების ზემოქმედებას. ს-ის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ტემპ-რაზე, კონსერვის ქიმ. შედგენილობაზე, კონსისტენციაზე, იმ ტარის სახეობასა (შუშის, ლითონის) და ზომაზე, რ-შიც პროდუქტია მოთავსებული და სხვ.

2. სქესობრივი ს. — ადამიანის ან ცხოველისათვის განაყოფიერების უნარის მოსპობა ქირურგ. ოპერაციის გზით; ამ დროს სქესობრივი ფუნქციის ჰორმონული რეგულაცია შენარჩუნებულია (რაც ს-ს პრინციპულად განასხვავებს *კასტრაციისაგან*). იხ. აგრეთვე *ასეპტიკა, დეზინფექცია, პასტერიზაცია* და სხვ.

სტერილობა (<ლათ. sterilis — უნაყოფო), სქესმწიფე ინდივიდში სქესობრივი გამრავლების უნარის არქონა. ფართო გაგებით ს. იგივეა, რაც უნაყოფობა, თუმცა ბოტანიკასა და მემცენარეობაში ჩვეულებრივ ხმარობენ ტერმ. „ს-ს", ხოლო ადამიანისა და ცხოველების მიმართ ტერმ. „უნაყოფობას". ს. შეიძლება აღმოცენდეს *მეიოზისა* და *გამეტების* ფორმირების დარღვევის, სქესობრივი პროცესის დათრგუნვის ან *ზიგოტის* დაღუპვის, აგრეთვე სასქესო ორგანოების არასწორი განვითარების შედეგად. ს. შეიძლება გამოიწვიოს როგორც მემკვიდრეობითმა (გენეტ.), ისე გარეშე ფაქტორებმა, შეიძლება მივიღოთ ხელოვნურადაც — სქესობრივი სტერილიზაციის გზით. მცენარეებში ციტოპლაზმური მამრობითი ს-ის დროს განსაზღვრული ციტოპლაზმური გენების მოქმედება იწვევს ყვავილის მტვრის განუვითარებლობას. ერთსახლიან ფარულთესლოვან მცენარეებში ცნობილია თვით- ან ავტოსტერილობის შემთხვევები. სახეობათაშორის ან შორეულ პიბრიდებში გვხვდება ე. წ. ჰიბრიდული ს., რ-საც დიდი ეკოლ. მნიშვნელობა აქვს. მედიცინასა და მიკრობიოლოგიაში ს-ს უწოდებენ აგრეთვე გარემოში, ორგანიზმსა ან რომელსამე მასალაში ცოცხალი მიკროორგანიზმების ან მათი სპორების არარსებობას (იხ. *სტერილიზაცია, სტერილური ცხოველები*).

სტერილური კულტურები მცენარეებისა, მცენარის გამოზრდა უმიკროორგანიზმებო გარემოში. ს. კ. ემსახურება მცენარის მიერ მინერ. და ორგ. ნივთიერებების შთანთქმისა და შეთვისების პროცესების შესწავლას, მცენარეთა კვებასა და ცხოველმოქმედებაში მიკროორგანიზმების როლის დადგენას, ნივთიერებათა ცვლაში ფესვთა სისტემის მონაწილეობის გარკვევას და სხვ. ამ მიზნით გამოიყენება წყლის, ქვიშის ან ნიადაგის ს. კ. საკვების შემცველ წყლიან, ქვიშიან ან ნიადაგიან ჭურჭელს ავტოკლავში ასტერილებენ. ს. კ-ის მისაღებად თესლებს წინასწარ ამუშავებენ სპეც. სტერილიზატორებში ბრომის, წყალბადის ზეჟანგის და სხვ. ხსნარებით. კონცენტრირებული გოგირდმჟავა გამოიყენება მკვრივგარსიანი თესლებისათვის.

სტერილური ცხოველები, უმიკრობო ცხოველები, ყველა მიკროორგანიზმისაგან, მ. შ. ვირუსებისაგან, აგრეთვე მიკროპარაზიტებისაგან თავისუფალი ცხოველები. ს. ც-ის გამოყენება მედ. სხვადასხვა დარგში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და მან განსაზღვრა XX ს. 60-იან წლებში დამოუკიდებელი მეცნ დისციპლინის — გნოტობიოლოგიის ჩამოყალიბება. გნოტობიოლ. მეთოდებსა და პრინციპებს იყენებენ აგრეთვე კლინიკურ მედიცინაში საოპერაციო ჭრილობებისა და გარეშე მიკროფლორისაგან ავადმყოფის სრული იზოლაციისათვის (იხ. *ასეპტიკა*).

ს. ც-ს ღებულობენ საშვილოსნოდან ნაყოფის სტერილურად მოცილებით (ჰისტეროტომია, ჰისტერექტომია) ან მწერების, ფრინველების და სხვ. გაუვნებლებული კვერცხების ინკუბაციით და შთამომავლობის შემდგომი გამოზრდით სპეც. იზოლატორში. ს. ც-ის მიღება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაყოფი დაბადებამდე სტერილური იყო. ბუნებრივ პირობებში დაბადების შემდეგ ყველა ცხოველსა და ადამიანს ნორმალური მიკროფლორა (ნმფ) აქვს. მასპინძლის ცხოველმოქმედებისათვის ამ მიკროორგანიზმების მნიშვნელობის გამოსარკვევად ატარებენ შედარებით ექსპერიმენტებს ჩვეულებრივ და ს. ც-ზე. ს. ც-ის თავისებურებათა ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს იმუნიტეტის ფორმირების, ბაქტერიების განსაზღვრული სახეობების ცვალებადობის, საჭმლის მონელების, ინფექციური პროცესებისა და სხვ. შესასწავლად, როცა ნმფ არ არსებობს. გნოტობიოლ. მო-



ლ. სტერნი.

ნაცემები გვიჩვენებს, რომ ბუნებრივ პირობებში ორგანიზმებისა და ნმფ-ის სიმბიოზი უზრუნველყოფს მასპინძლის ორგანიზმს ვიტამინებით, ამინომჟავებით, საჭმლის მომნელებელი ფერმენტებით და სხვ.

სსრკ-ში ს. ც. მიღებულია 1966 სსრკ მედ. მეცნ. აკად. ეპიდემიოლ. და მიკრობიოლ. ინ-ტში, სადაც შეიქმნა გნოტობიოლ. პირველი ლაბორატორია.

სტერინები, სტეროლები, ციკლური სპირტები, რ-ებიც სტეროიდების კლასს განეკუთვნება. ფართოდ არის გავრცელებული ცოცხალ ბუნებაში. ს-ის უმეტესობა ოპტიკურად აქტიური კრისტალური ნივთიერებაა. ადვილად იხსნება ორგ. გამხსნელებში და არ იხსნება წყალში. ს-ის წინამორბედია ნახშირწყალბადი სკვალენი, რ-ის გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა ს., შეიცავენ 27—29 ატომ ნახშირბადს. ცხოველურ ს-ს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია *ქოლესტერინი*; სოკოებსა და მ. შ. საფუვრებში ყველაზე გავრცელებულია *ერგოსტერინი*, მცენარეებში უფრო მეტად გვხვდება β-სიტოსტერინი და სტიგმასტერინი. უმაღლეს ცხოველებში ს. გვხვდება ნერვული ქსოვილის, ღვიძლის, სპერმისა და სხვ. შედგენილობაში. მცენარეებში ს. არის როგორც თავისუფალი სახით, ისე შეერთებულია ცხიმოვან მჟავებთან (სტერიდები), ნახშირწყლებთან (ფიტოსტეროლინები) ან ორივესთან. საკვებთან ერთად მიღებულ ს-ს მწერები (რ-თაც არ გააჩნიათ ს-ის სინთეზისათვის საჭირო ფერმენტული სისტემები) იყენებენ ჰორმონების სინთეზისათვის. ს. შედის *ბიოლოგიური მემბრანების* შედგენილობაში. მრეწველობაში იყენებენ სტეროიდული ჰორმონებისა და D ჯგ. ვიტამინების მისაღებ ნედლეულად. *ნ. ნუცუბიძე.*

სტერკულიისებრნი (Sterculiaceae), ორლებიან მცენარეთა ოჯახი. ხეები და ბუჩქებია, იშვიათად ბალახი. ყვავილები მეტწილად ორსქესიანია. ჯამის ფოთლები შეზრდილია, მტვრიანები 2 წრედაა განლაგებული, ზოგჯერ გარეთა წრისა გადაქცეულია სტამინოდიუმებად ან განუვითარებელია. ხშირად მტვრიანები და ბუტკო წამოწეულია ანდროგინოფორზე. ნაყოფი ნაირგვარია და ხშირად ცალკეულ ნაწილებად იშლება. ოჯახში 1000-მდე სახეობაა (60 გვარზე მეტი). გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში. პრაქტ. მნიშვნელობა აქვს თეობრომას (კაკაოს ხე), კოლას და სტერკულიის გვარის სახეობებს.

სტერლითამაქი, ქალაქი ბაშკ. ასსრ-ში, ნავმისადგომი მდ. ბელაიის მარცხ. ნაპირზე. სტერლითამაქის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. 233 ათ. მცხ. (1983). ქიმ. და მანქანათსაშ. მრეწვ. დიდი ცენტრი. სოდა-ცემენტის კომბინატი, სინთეზური კაუჩუკისა და ქიმ., ჩარხთსაშენი, სამშენებლო მანქანების, მექან. ქ-ნები, მსუბუქი მრეწვ. საწარმოები. პედ. ინ-ტი, უფის ნავთობის ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი. 8 საშ. სპეც. სასწავლებელი, დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სტერლინგის ბლოკი, იხ. *საგალუტო ბლოკები.*

სტერლინგის ზონა, იხ. *საგალუტო ზონები.*

სტერნი (Stern) ისააკ (დ. 21. VII. 1920, კრემენეცი, უკრ. სსრ), ამერიკელი მეგიოლინე. სწავლობდა ლ. პერსინგერთან, შემდეგ ნ. ბლინდერთან სან-ფრანცისკოს კონსერვატორიაში. აქვე 1931 შედგა ს-ის დებიუტი. ნიუ-იორკში გასტროლების შემდეგ (1937) გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-ში (პირველად 1956). 50-იან წლებში სახელი გაითქვა როგორც მსოფლიოს ერთერთმა უდიდესმა მგეიოლინემ. მისი შესრულებისათვის დამახასიათებელია სისადაე, ლამაზი ტონი, უზადო ვირტუოზული ტექნიკა. უპირველესად ასრულებს დიდი ფორმის ნაწარმოებებს (სონატა, კონცერტი).

სტერნი (Sterne) ლორენს (24. XI. 1713, კლონმელი, ირლანდია, — 18. III. 1768, ლონდონი), ინგლისელი მწერალი. ინგლ. სანტიმენტალიზმის უდიდესი წარმომადგენელი. 1738—58 სასულიერო პირი იყო. 1760—69 ს-მა გამოაქვეყნა კრებ. „მისტერ იორიკის ქადაგებანი" (ტ. 1—2). ფართო აღიარება მოიპოვა მისმა რომანმა „ცხოვრება და შეხედულებები ტრისტრამ შენდისა, ჯენტლმენისა" (ტ. 1—9, 1760—67); ფორმის მხრივ ნაწარმოები პაროდიაა ყოფით რომანზე და გამსჭვალულია ჰუმანისტურ-განმანათლებლური ტენდენციებით; მასში მონაცვლეობს ლირ.-იუმორისტული თხრობა, არ არის დაცული მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მოქმედება აღრეულია დროში, ხშირია ავტორისეული თავისუფალი გადახვევები, აქცენტირებულია შეუცნობელი სულიერი მოძრაობის მნიშვნელობა, ინტუიციურ-ემოციური აღქმა და სხვ. რომანის გმირი ერთდროულად არის რაციონალისტიც და „შენდიანელიც", რაც იორკშირის დიალექტზე თავქარიანს ნიშნავს. ს-ის მეორე თხზ. „სანტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში" (1768) დაუსრულებელი დარჩა. ეს ნაწარმოებიც პაროდიაა იმ დროს გავრცელებულ მოგზაურობათა აღწერის ჟანრზე. მასში კვლავ ყურადღების ცენტრშია გმირის სულიერი მდგომარეობა, გრძნობათა უწვრილმანესი ცვალებადობა. ს-ის შემოქმედებამ ღრმა კვალი დატოვა ევრ. ლიტ-რაში. ვოლტერმა მას „მეორე ინგლისელი რაბლე" უწოდა. დიდი გავლენა მოახდინა დ. დიდროზე და ფრანგ რომანტიკოსებზეც; გერმანიაში შეიქმნა „სტერნიანელთა" მიმდინარეობა.

თხზ.: Works and life, v. 1—12, N. Y., 1904; Жизнь и мнения Тристрама Шенди, джентльмена. Сентиментальное путешествие по Франции и Италии, М., 1968.

ლიტ.: Елистратова А. А., Английский роман эпохи Просвещения, М., 1966; Тронская М. Л., Романы Л. Стерна, წგნ.: Литература и эстетика. Сб. статей, Л., 1960.

სტეროიდები, ორგანულ ნივთიერებათა კლასი, რ-იც ქიმიური ბუნებით იზოპრენოიდებს მიეკუთვნება. ს. ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში. გვხვდება მიკროორგანიზმებში, მცენარეებსა და ცხოველებში. ს-ის ქიმ. ევოლუციის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა მათი *ჰორმონებად* სპეციალიზაცია. თითქმის ყველა ს. ოპტიკურად აქტ. კრისტალური ნივთიერებაა, უკეთ იხსნება ორგ. გამხსნელებში, ვიდრე წყალში. არჩევენ ს-ის შემდეგ ჯგუფებს: 1. *სტერინები*, რ-თაგან ყველაზე მნიშვნელოვანია *ქოლესტერინი* — მონაწილეობს სტეროიდული ჰორმონების ბიოსინთეზში; 2. D ჯგ. ვიტამინები, მონაწილეობენ კალციუმის ცვლის რეგულაციასა და ხერხემლიანთა ჩონჩხის ფორმირებაში; 3. ნაღვლის სპირტები და მჟავები, ხელს უწყობენ ხერხემლიანებში საჭმლის მონელების პროცესებს ნაწლავებში; 4. აგლიკონები (გენინები), ტიპური წარმომადგენლებია დიოსგენინი და სოლასოდინი; ორივე ჯგუფს ახასიათებს ზედაპირული აქტივობა და ჰემოლიზური თვისებები. 5. სტეროიდული ალკალოიდების სხვა ტიპები: C_{27}-ალკალოიდები ასტიმულირებენ განივზოლიანი კუნთების შეკუმშვას; მცენარეულ C_{21}-ალკალოიდებს ახასიათებთ ბაქტერიციდული და ამებოციდური თვისებები; მოდიფიცირებული C_{21}-ალკალოიდები ამფიბიების ჯირკვლებიდან — ცენტრ. ნერვული სისტემის ძლიერი შხამები და კარდიოტოქსინებია; 6. გულის გენინები, აძლიერებენ გულის კუნთის შეკუმშვას ფერმენტ ატფაზის ინჰიბირებით გულის უჯრედების მემბრანებში; 7. სტეროიდული *სასქესო ჰორმონები* და მათი გარდაქმნის შედეგად მიღებული პროდუქტები, რ-ებიც განაპირობებენ ცხოველებში სასქესო სისტემის განვითარებას და ფუნქციონირებას. მათ განეკუთვნება *პროგესტერონი* და მისი მონათესავე C_{21}-ნაერთები, მამაკაცის სასქესო ჰორმონები — ანდროგენები და ქალის სასქესო ჰორმონები — *ესტროგენები*; 8. *კორტიკოსტეროიდები* — თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ჰორმონები; არეგულირებენ ელექტროლიტების ბალანსსა და ნახშირწყლოვან ცვლას ხერხემლიანთა ორგანიზმში. ს-თან ახლოსაა ტრიტერპენული ანტიბიოტიკები (ფუზიდის მჟავა, ცეფალოსპორინი P_1) და სხვა ტრიტერპენები.

ს-ის ბიოსინთეზის უნარი აქვთ უმაღლეს ხერხემლიანებს. მწერები ვერ ახერხებენ ს-ის სინთეზს და იღებენ მას საკვებთან ერთად, ზოგიერთ უმდაბლეს სოკოში სქესობრივი გამრავლება აგრეთვე ინდუცირდება ს-ით. შესაძლოა ს. მონაწილეობენ ჭურჭლოვან მცენარეთა მორფოგენეზში. ს-ის ბიოსინთეზის ინჰიბიტორები იწვევენ ზოგიერთი სოკოს გამრავლებისა და უმაღლეს მცენარეთა ყვავილობის დარღვევას. ს-ს დიდი როლი აქვთ მედიცინაში, ვეტერინარიასა და მეცხოველეობაში. მრეწველობაში დამუშავებული და დანერგილია სტეროიდული ჰორმონების ნაწილობრივი სინთეზის მეთოდები. სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს „ხელოვნური", სპეციალიზებული ფიზიოლ. მოქმედების (კონტრაცეპტული, ანაბოლური და სხვ.) მქონე სტეროიდული ჰორმონების, კერძოდ, ფთორ- და აზოტშემცველი ანალოგების სინთეზი.

ლიტ.: Артамонов В. И., Стероидные соединения растений, «Успехи современной биологии», 1978, т. 86, в. 1; Хефтман Э. М., Биохимия стероидов, пер. с англ., М., 1972. *ნ. ნუცუბიძე.*

სტესიქორე (Stësichoros) (ძვ. წ. დაახლ. 640—555), ძვ. ბერძენი ლირიკოსი პოეტი, საგუნდო პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი ნამდვილი სახელი იყო ტისია, ს. მეტსახელია, რაც ნიშნავს „გუნდის მომწყობს". ძვ. მითებსა და კიკლიკურ პოემებზე დაყრდნობით, ლირ. ფორმითა და სუბიექტური განცდებით გადმოსცემდა ეპიკურ მასალას. ს-მ საგუნდო ლირიკაში დაამკვიდრა სალექსო კომპოზიციის სტროფული ტრიადების სისტემა. მისი საგუნდო სიმღერები შეიცავდა 26 წიგნს, რ-თაგან მოღწეულია ფრაგმენტები („ილიონის დამხობა", „დაბრუნებანი", „ორესტეა", „ელენე", „კერბერი", „შეჯიბრებები პელიას საფლავზე..."). **სტეფანავანი** (1924-მდე ჯალალოღლი; სახელი ეწოდა სტეფანე შაუმიანის პატივსაცემად), ქალაქი (1938-იდან) სომხ. სსრ-ში, მდ. ძორაგეტის (მტკვრის აუზი) მარჯვ. ნაპირზე. სტეფანავანის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. თუმანიანიდან 30 *კმ*. ქ-ნა „პრომსვიაზი", მაღალი სიხშირის მოწყობილობათა, ლუდის, ყველ-კარაქის ქ-ნები, წინდების, ხალიჩების, სამკერვალო, ავეჯის ფ-კები, ზოოვეტ. საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი. სახ. თეატრი. ს. შაუმიანის სახლ-მუზეუმი.

სტეფანაკერტი (1923-მდე სოფ. ხანქენდი; სახელი ეწოდა სტეფანე შაუმიანის პატივსაცემად), ქალაქი, აზერბ. სსრ მთიანი ყარაბაღის აო-ის ცენტრი, ყარყარჩაის ხეობაში. რკინიგზის სადგ. აღდამიდან 26 *კმ*, ევლახ—ნახიჩევანის საავტ. გზაზე. განვითარებულია მსუბუქი (აბრეშუმის კომბინატი, ფეხსაცმლის, ხალიჩების, სამკერვალო ფ-კები) და კვების (ღვინის ქ-ნა, რძის კომბინატი) მრეწველობა. არის ელექტროტექ., ასფალტბეტონის ქ-ნები, საშენ მასალათა კომბინატი, ავეჯის ფ-კა. პედ. ინ-ტი, საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი, სამედ. და სამუ-

სიკო სასწაულებლები, ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დრამ. თეატრი.

სტეფანაშვილები, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (ღორჯომის სოფსაბჭო), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის სისტემა) ზემოთში. ზ. დ. 1350 *მ*, ხულოდან 16 *კმ*. ღორჯომის კომკავშირის სახ. კოლმება (მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა). სამ. სკოლა სოფ. ადაძეებში (0,5 *კმ*). ბ-კა, კულტსახლი, საავადმყოფო.

სტეფანე, სტევანი (Стеван), სერბიის ჟუპანები და მეფეები: **ს. ნემანია** (1113 ან 1114—1200), დიდი ჟუპანი დაახლ. 1170—96, სერბიის სახელმწიფოსა და *ნემანიჩების* დინასტიის დამაარსებელი. **ს. პირველგვირგვინოსანი** (დ. წ. უცნობია, — 24. IX. 1227), დიდი ჟუპანი 1196-იდან, მეფე 1217-იდან. აგრძელებდა მამის — ს. ნემანიას პოლიტიკას. აღწერა ს. ნემანიას ცხოვრება. **ს. უროშ III დეჩანელი** (დაახლ. 1285 — 11. XI. 1331), მეფე 1321-იდან. გაიმარჯვა ბულგ. მეფის მიხაილ შიშმანის არმიაზე, რამაც სერბია ბალკანეთის ქვეყნებში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. **ს. დუშანი** (დაახლ. 1308 — 20. XII. 1355), მეფე 1331-იდან. შექმნა სერბ.—საბერძნ. სამეფო. 1345 დამლევს სერბ. საარქიეპისკოპოსო საპატრიარქოდ გამოაცხადა, თვითონ კი „სერბებისა და ბერძნების მეფედ" ეკურთხა. 1349 გამოსცა ე. წ. „სტეფანე დუშანის კანონთა კრებული", რ-მაც განამტკიცა ფეოდ. წყობილება. **ს. ლაზარევიჩი** (დაახლ. 1377 — 19. VII. 1427), მთავარი 1389-იდან, დესპოტი 1402-იდან. ოსმალეთისაგან განთავისუფლების მიზნით კავშირი დადო უნგრეთთან. სერბიაზე უნგრ. პროტექტორატის დაწესების ფასად მიიღო ქ. ბელგრადი, რ-იც დედაქალაქად აქცია. სამფლობელო საზღვრები განავრცო მდ. სავამდე, დუნაიმდე და ადრიატიკის ზღვამდე.

სტეფანე დუშანის კანონთა კრებული, შუა საუკუნეების სერბიის კანონთა კრებული. შედგენილია მეფე სტეფანე დუშანის ინიციატივით, მიღებულია 1349 (დამატებანი — 1354). კრებულში განსაზღვრულია ფეოდალთა შიდაკლასობრივი ურთიერთობანი და მათი დამოკიდებულება გლეხობასა და ცენტრ. ხელისუფლებასთან, გლეხთა კატეგორიები და ბეგარა; საბოლოოდ გაფორმდა გლეხთა დაყმევება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სახელმწიფოს მხრივ მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი ინ-ტების დაცვას, სისხლის სამართ. საკითხებს. სასჯელის ზომა დამნაშავისა და დაზარალებულის კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა.

სტეფანე მტბევარი, X ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, *ტბეთის* ეპისკოპოსი. განსწავლული თეოლოგი და მწიგნობარი იყო, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. მაგ., ცნობილია, რომ მას დახმარებისათვის მიმართა მთარგმნელმა *დაჩიმ*. ს. მ-ს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი", რ-იც დაწერა ერისთავთერისთავ აშოტ კუხის თხოვნით 914—918. თხზულებაში აღწერილია ქართველების ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ, ქართვ. მთავრის *გობრონის* ერთგულება ქრისტ. რელიგიისადმი და მისი მოწამებრივი აღსასრული. ავტორი გვაწვდის მდიდარ ისტ. მასალას, გამოკვეთილი აქვს ქართველთა (უპირველესად გობრონის) მამულიშვილური გრძნობები. ძეგლი გამოირჩევა ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით, ავტორის მხატვრული ოსტატობით და წერის მაღალი კულტურით.

. *თხზ.* იხ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შემდგ. ს. ყუბანეიშვილი, [ტ.] 1, თბ., 1946.

ლიტ.: ბარამიძე რ., ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966; ქეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977. *რ. ბარამიძე.*

სტეფანე სანანოისძე ჯაონდიდელი, X ს. II ნახ. ქართველი მწერალი, ჰიმნოგრაფი, სასულიერო მოღვაწე. პირველად მოხსენიებულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში (978—988). ეფრემ მცირის ცნობით, ს. ს.-ს სიმეონ ლოგოთეტის შეტაფრასებიდან უთარგმნია საკითხავი დაუჯდომელთა და თეოქთისტე ლეზველის ცხოვრება. მასვე ეკუთვნის აბოსადმი მიძღვნილი ორიგინ. ჰიმნი და სტეფანე პირველმოწამისადმი მიძღვნილი საგალობლის თარგმანი. პ. ინგოროყვა ს. ს. *ჯ*-ს დას. საქართველოს ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევს. ძვ. ქართ. მწერლობის ისტორიაში ს. ს. *ჯ*-თან ერთად მოიხსენიება *დავით ტბელი* (როგორც ჩანს, ისინი თანამედროვენი იყვნენ). რუის-ურბნისის ძეგლისწერაც ამ ორ სახელს ერთად მოიხსენიებს.

ლიტ.: ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული 7 ტომად, ტ. 3, თბ., 1966; ქეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯღამაია ლ., მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები, «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1974, № 3. *ლ. ჯღამაია.*

სტეფანე ძიზიყელი, სტეფანე ხირსელი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამა (იხ. *ასურელი მამები*). საქართველოში მოსულა VI ს. შუა წლებში ხირსაში (ქიზიყი), აუშენებია მონასტერი; დასაფლავებულია იქვე.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

სტეფანიანი ნელსონ გიორგის ძე [15. (28). III. 1913, ქ. შუშა, მთიანი ყარაბაღის ასსრ, აზერბ. სსრ, — 14. XII. 1944, ლიეპაია, ლიტვ. სსრ], ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (23. X. 1942 და 6. III. 1945, სიკვდილის შემდეგ), პოდპოლკოვნიკი (1944). სკკპ წევრი 1932-იდან. ს-მა 1935 დაამთავრა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საავიაციო სკოლა. მუშაობდა მფრინავ-ინსტრუქტორად. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იბრძოდა შავი ზღვისა და ბალტიის ფლოტების სამხ.-საჰაერო ძალების შემადგენლობაში. მეთაურობდა საავიაციო რგოლს, ესკადრილიას, 47-ე მოიერიშე საავიაციო პოლკს. განახორციელა 239 საბრძოლო გაფრენა. პირად და ჯგუფურ ბრძოლებში ჩაძირა მტრის 53 გემი. ს. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და 3 წითელი დროშის ორდენით.

სტეფანიკი ვასილი სიმონის ძე [2 (14). V. 1871, სოფ. რუსოვი, ახლანდ. ივანო-ფრანკოვსკის ოლქი, — 7. XII. 1936, იქვე], უკრაინელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. პირველი ნოველა 1897 გამოაქვეყნა, ნოველათა პირველი კრებული „ლურჯი წიგნაკი", რ-მაც იმთავითვე მოუტანა ფართო აღიარება, — 1899. ს-ს ეკუთვნის პროზაული კრებულები „ქვის ჯვარი" (1900), „გზა" (1901), „მიწა" (1926), რ-ებშიც რეალისტურად არის წარმოსახული დას. უკრ. გლეხთა ყოფა-ცხოვრება, კლასობრივი ბრძოლა სოფლად, მასების საზ. თვითშეგნების გაღვივება, იმპერიალ. ომის ანტიხალხური არსი. ს. მწერალი ნოვატორია, რ-მაც დრამატული ჟღერადობა შესძინა მცირე ეპიკურ ფორმებს. ს-ის თხზულებანი თარგმნილია მსოფლიოს ბევრ ენაზე.

სტეფანოზი, ქართლის რამდენიმე ერისმთავრის სახელი VI—VIII სს-ში. 1. **ს. I,** ქართლის ერისმთავარი VI ს. დასასრ. და VII ს. დასაწყისში (დაახლ. 590/591—604/605), ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამ კურაპალატის ძე. ატარებდა პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს, შემდეგ განუდგა ბიზანტიას და სპარსეთის ორიენტაციის გზას დაადგა. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ბერძენთა (ბიზანტიელები) და სპარსთა შიშით მეფის ტიტულის ტარება ვერ გაბედა. ს. I თავის ძმასთან — დემეტრესთან ერთად იყო მცხეთის ჯვრის ეკლესიის ერთ-ერთი აღმშენებელი. მისი რელიეფური გამოსახულება დღემდეა შემორჩენილი ეკლესიის აღმ. ფასადზე. 2. **ს. II,** ქართლის ერისმთავარი VII ს. შუა წლებსა და II ნახევარში. მას დაუსრულებია მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა, რ-ის აღმ. ფასადზეც შემორჩენილია მისი რელიეფური გამოსახულება. 3. **ს. III,** ქართლის ერისმთავარი 711—739. ატენის სიონის წარწერაში მოხსენიებულია როგორც მამფალი, „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი", რაც აღმ. და დას. საქართველოს პოლიტ. მთლიანობაზე მიუთითებს. 4. **ს. IV,** ქართლის ერისმთავარი VIII ს. 80-იან წლებში. ერსებ ერისმთავრის დისწული.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; მარტყოფისაჲ პაბონტფილესაჲ, იქვე; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: აბრამიშვილი გ., სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961; ბოგვერაძე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI—VIII სს., წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968; კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგნ. 3, ნაკვ. 1 — ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გამოც. მე-2, თბ., 1949. *ვ. გუჩუა.*

სტეფანოს ორბელიანი, სტეფანოს განძაკეცი (1258—1304). XIII—XIV სს. სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. საეკლ.-პოლიტ. მოღვაწე. წარმომავლობით ორბელიანთა ქართ. ფეოდ. გვარის გასომხებულ შტოს განეკუთვნებოდა (ტარსაიჭ ორბელიანის ძე).

ს. ო. მრავალი ისტ. თხზულების ავტორია. მ. შ. მნიშვნელოვანია „სისაკანის სახლის ისტორია" (დასრულა 1297—1300), რ-იც გამოირჩევა მასალის სიუხვით, ისტ. ფაქტების შედარებით მართებული ახსნითა და შეფასებით. ყურადღებას იქცევს ნაშრომის 66-ე თავი „ცხოვრება ორბელიანთა", რ-შიც გადმოცემულია ორბელიანთა ფეოდ. საგვარეულოს თავგადასავალი. ამ თავში გაშუქებულია XII—XIII სს. საქართვ. სოც.-პოლიტ. ისტ. მრავალი საკითხი. „სისაკანის სახლის ისტორია" ცალკე თხზულებად იყო როგორც სომხურად, ისე ქართულად.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; ცაგარეიშვილი ე., სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა" (ძველი ქართული თარგმანები), თბ., 1978.

გ. მაისურაძე.

სტეფანოს ტარონელი (ასოღიკი), X—XI სს. სომეხი ისტორიკოსი. მისი უმთავრესი ნაშრომია „მსოფლიო ისტორია", რ-იც კათალიკოს სარქისის (922—1019) დაკვეთით დაუწერია. იგი 3 ნაწილისაგან შედგება. პირველი 2 ნაწილი კომპილაციური ხასიათისაა, მესამე ნაწილი ორიგინალურია და მოიცავს პერიოდს აბასის მეფობიდან (929) 1004-მდე. ამ ნაწილში ძირითადად აღწერილია მონასტრების მშენებლობა და სამონასტრო ცხოვრება. ნაშრომი საყურადღებო წყაროა საქართვ. ისტ. მთელი რიგი საკითხების დასაზუსტებლად. კერძოდ, შეიცავს ცნობებს ტაო-კლარჯეთისა და საქართვ. სხვა კუთხეების, აგრეთვე ბაგრატიონთა მოღვაწეობის შესახებ.



ნ. სტეფანიანი.



ვ. სტეფანიკი.



ჯ. სტეფენსონი.



ტ. სტეფორდი.



ბ. სტეჩკინი.



სტვენია.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები. კატალოგი, [ტ.] 1, თბ., 1949. *გ. მაისურაძე.*

სტეფანწმინდა, სოფელი გეგეჭკორის რ-ნში (ლეხაინდრავოს სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 110 *მ*, გეგეჭკორიდან 13 *კმ*. ლეხაინდრავოს კოლ-ბა „საქართველო" (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). საშ. სკოლა სოფ. ლეხაინდრავოში (2 *კმ*). ბ-კა.

სტეფანსონი, სტივენსონი (Stephenson) ჯორჯ (9. VI. 1781, უაილემი, ნორთამბერლენდი, — 12. VIII. 1848, ტეპტონ-ჰაუზი, ჩესტერფილდი), ინგლისელი კონსტრუქტორი და გამომგონებელი, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა რკინიგზის ორთქლის ტრანსპორტის განვითარებას. 1815 შექმნა ორიგინ. კონსტრუქციის მაღაროს ლამპა. 1815-იდან აშენებდა ორთქლმავლებს. პირველი ორთქლმავალი („ბლიუხერი") მაღაროს რკინიგზისთვის ააგო ჯ. სტილთან ერთად. 1815—16 შექმნა კიდევ 2 გაუმჯობესებული კონსტრუქციის ორთქლმავალი. 1816 ნ. გუდთან ერთად ჩაატარა პირველი მეცნ. კვლევა და დაადგინა დამოკიდებულება ლიანდაგის წინააღმდეგობასა, მის დატვირთვასა და პროფილს შორის. 1823 ნიუკასლში შექმნა მსოფლიოში პირველი ორთქლმავალსაშენი ქ-ნა, სადაც ააგო ორთქლმავლები თავისიევე გეგმით მშენებარე რკინიგზებისათვის (დარლინგტონ — სტოქტონი, და მანჩესტერ—ლივერპული; 1826—30). შექმნა აგრეთვე ხელოვნური ნაგებობები (ხიდები, ვიადუკები და სხვ.), გამოიყენა რკინის რელსები, რ-ებიც ეყრდნობოდა ქვის საყრდენებს. ს-ის მიერ მიღებული ლიანდი (1435 *მმ*) ყველაზე უფრო გავრცელდა დას. ევრ. რკინიგზებზე, 1836 ს-მა ლონდონში ჩამოაყალიბა საპროექტო კანტორა, რ-იც რკინიგზის მშენებლობის ცენტრად იქცა. ს-ისა და მისი შვილის ნახაზებით აგებდნენ ორთქლმავლებს, რ-ებსაც ექსპლუატაციას უწევდნენ დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში.

ლიტ.: Виргинский В. С., Джордж Стефенсон. 1781—1848, М.—Л., 1964; Забаринский П. П., Стефенсон, М., 1937.

სტეფორდი (Stafford) ტომას (დ. 17. IX. 1930, უეთერფორდი, ოკლაჰომის შტ.), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, სამხ.-საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალი. 1952 დაამთავრა სამხ.-საზღვაო აკადემია (მიიღო მეცნ. ბაკალავრის ხარისხი), 1959 — გამომცდელ-მფრინავთა სკოლა ედუარდზის ბაზაზე კალიფორნიის შტატში და გახდა ამავე ბაზაზე აეროკოსმ. კვლევისთვის პილოტთა მომზადების სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საფრენი აპარატების შესახებ ცნობართა ერთ-ერთი ავტორი. კოსმონავტთა ჯგუფშია 1962-იდან. 1965 წ. 15—16 დეკ. უ. *შირასთან* ერთად პირველად იფრინა კოსმოსში „ჯემინი-6-ით" (17 ხვია დედამიწის ირგვლივ). 1966 წ. 3—6 ივნ. იფრინა ი. *სერნანთან* ერთად „ჯემინი-9-ით" (45 ხვია); იყო ხომალდის მეთაური. ფრენისას ხომალდი მიუახლოვდა სამიზნე რაკეტას. 1969 წ. 18—26 მაისს ჯ. *იანგსა* და ი. სერნანთან ერთად მონაწილეობდა კოსმ. ფრენაში „აპოლონ-10-ით", 61 *სთ* 40 *წთ* იფრინა მთვარის ირგვლივ. იყო ხომალდის მეთაური. მთვარის კაბინით, რ-იც ხომალდს გამოეყო, ს. და სერნანი 15 *კმ*-ზე მიუახლოვდნენ მთვარეს. 8 *სთ* ფრენის შემდეგ მთვარის კაბინა კვლავ შეუპირაპირდა ხომალდს და კოსმონავტები დედამიწაზე დაბრუნდნენ. 1975 წ. 15—25 ივლ. დ. *სლეიტონსა* და ვ. ბრენდთან ერთად ხომალდ „აპოლონით" მონაწილეობდა აშშ—სსრკ ერთობლივ კოსმ. ექსპერიმენტში. ხომალდი ორჯერ შეუპირაპირდა საბჭ. ხომალდ „სოიუზ-19-ს". ჩატარდა მეცნ. ექსპერიმენტებიც. 1975-იდან ს. ედუარდზის საავიაციო ბაზის დირექტორია.

სტეიციომეტრია (ბერძნ. stoicheion — საწყისი, საფუძველი, ელემენტი და ...*მეტრია*), ქიმიაში მოძღვრება მორეაგირე ნივთიერებათა მასების (მოცულობების) რაოდენობრივ თანაფარდობათა შესახებ. ს. გამომდინარეობს ავოგადროს, გეი-ლუსაკის (მოცულობით ფარდობათა), ჯერად ფარდობათა, შედგენილობის მუდმივობისა და მასის შენახვის; ეკვივალენტების კანონებიდან. ს. საფუძვლად უდევს ქიმ. ფორმულების გამოყვანას, ქიმ. განტოლებების შედგენას და ამ განტოლებებთან დაკავშირებულ ყველა გაანგარიშებას.

სტეფენკო-კუფტინა ვალენტინა კონსტანტინეს ასული [20. I (2. II). 1904, ლებედინი, ახლანდ. სუმის ოლქი, უკრ. სსრ, — 26. VIII. 1953, რიგა, დასაფლავებულია თბილისში], საბჭ. ფოლკლორისტი, პიანისტი და პედაგოგი, ბ. *კუფტინის* მეუღლე. 1923 დაამთავრა კიევის კონსერვ. (ფ. ბლუმენფელდის საფორტეპიანო კლასი). 1925—35 იყო ამავე კონსერვატორიის პედაგოგი. 1924—30 კონცერტებით გამოდიოდა კიევში, მოსკოვსა და ლენინგრადში. 1928-იდან იკვლევდა მუს. ფოლკლორს (შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდ. ოსეთსა და საქართველოში). 1934-იდან ცხოვრობდა საქართველოში. 1935-იდან თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვ. პედაგოგი (1942-იდან პროფესორი, 1947—50 ფორტეპიანოს კათედრის გამგე). ს.-ჰ. საგანგებოდ იკვლევდა ქართულ ხალხ. საკრავიერ მუსიკას. ავტორია სოინარზე დაწერილი პირველი კაპიტ. ნაშრომისა. კონცერტებს მართავდა საქართვ. სხვადასხვა ქალაქში.

თხზ.: Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки, т. 1 — Флейта Пана, Тб., 1936; О грузинском хоре, «Музыка и революция», 1929, № 7—8.

სტეჩკინი ბორის სერგეის ძე [24. VII (5. VIII). 1891, სოფ. ტრუფანოვო, ახლანდ. ტულის ოლქი, — 2. IV. 1969, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი ჰიდროაერომექანიკისა და თბოტექნიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953), სოციალ. შრომის გმირი (1961). ნ. *ჟუკოვსკის* მოწაფე. 1918 დაამთავრა მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი. ნ. ჟუკოვსკისთან ერთად მონაწილეობდა ცენტრ. აეროჰიდროდინამ. ინ-ტის შექმნაში, ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკად. ერთ-ერთი ორგანიზატორი (1921—53 ამ აკად. პროფესორი). ლექციებს კითხულობდა მოსკ. უმაღლეს ტექ. სასწავლებელში (1918—27) და მოსკ. საავიაციო ინ-ტში (1930—37). მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ძრავების ლაბორ. გამგედ (1954—61). 1961 ლაბორატორია გადაკეთდა სსრკ მეცნ. აკად. ძრავების ინ-ტად და ს. დაინიშნა მის დირექტორად (1961—62). 1954-იდან — მოსკ. საავტ.-საგზაო ინ-ტის პროფესორი. სათავეში ედგა სსრკ მეცნ. აკად. კომისიას აირტურბინების დარგში. ს-მა შექმნა საავიაციო ძრავების თბური გაანგარიშების თეორია, გამოიყვანა მრავალი მნიშვნელოვანი ფორმულა. ლენინური (1957) და სსრკ სახელმწ. (1946) პრემიები. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

თხზ.: Газотурбинные установки, М., 1956; Теория реактивных двигателей. Лопаточные машины, М., 1956.

სტვენია (Pyrrhula pyrrhula), ფრინველი *ბეღურასნაირთა* რიგისა. აქვს შავი თავი და ბოლო, ნაცრისფერი ზურგი, მამალს წითელი, ხოლო დედალს მორუხო-მურა მუცელი. ს-ს სხეულის სიგრძე 18 *სმ*, მასა 35 *გ* აღწევს. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. სსრკ-ში ბინადრობს ტყის ზონაში (ჩრდ. იაკუტიის გამოკლებით). და კავკ. მთიან ტყეებში. ვერტიკალურად აღწევს 2700 *მ*. ზ. დ. ბუდეს იკეთებს ხეზე. მაისში დებს 4—6 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 2 კვირას. იკვებება მცენარეთა კვირტებით, კენკრით, თესლით. მართვეებს აჭმევს ამონანთხევ თესლს. *რ. ყორდანია.*

სტვირი, ქართული სასულე მუსიკალური საკრავი. იგივეა, რაც *გუდასტვირი.*

სტიბინი, იგივეა, რაც *სტიბიუმოვანი წყალბადი,* SbH_3.

სტიბიუმი (Stibium), Sb, ელემენტთა პერიოდული სისტემის V ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 51, ატ. მასა 121,75; სიმკვრივე 6690 $კგ/მ^3$, $t_{დნ}$ 630,5°C, $t_{დუღ}$ 1635—1645°C; მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი. ბუნებაში ცნობილია ს-ის ორი მდგრადი იზოტოპი ^{121}Sb (57,25%) და ^{123}Sb (42,75%). ხელოვნურად მიღებული რადიოაქტ. იზოტოპებს შორის მნიშვნელოვანია ^{122}Sb, ^{124}Sb და ^{125}Sb. ს. ცნობილია უძველესი დროიდან. 1789 ა. *ლავუაზიემ* ს. შეიტანა ქიმ. ელემენტთა სიაში (antimoine).

დედამიწის ქერქში ს-ის საშ. შემცველობა მასის მიხედვით $5 \cdot 10^{-5}$%-ია; მაგმასა და ბიოსფეროში გაბნეულია. მის 27 მინერალს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია *ანტიმონიტი* (Sb_2S_3). ნაერთებში ს-ის ჟანგვის ხარისხია +5 ,+3 და — 3. ქიმიურად ს. ნაკლებად აქტიურია, დნობის ტემპ-რამდე ჰაერზე არ იჟანგება. წყალბადსა და აზოტთან არ ურთიერთქმედებს, ჰალოგენებთან კი აქტიურად ურთიერთქმედებს და წარმოქმნის ს-ის ჰალოგენიდებს. 630°C-ზე უფრო მაღალ ტემპ-რაზე ჟანგბადთან წარმოქმნის Sb_2O_3. ს-ის გოგირდთან დნობით მიიღება ს-ის სულფიდები, ურთიერთქმედებს აგრეთვე ფოსფორსა და დარიშხანთან; მდგრადია წყლისა და განზავებული მჟავების მიმართ; კონცენტრირებულ მარილ- და გოგირდმჟავაში იხსნება და წარმოქმნის $SbCl_3$ და $Sb_2(SO_4)_3$. ს-ის ლითონებთან შეერთებით წარმოიქმნება *ანტიმონიდები.* ს. მიიღება Sb_2S_3-ის რკინით აღდგენისას. მას ძირითადად იყენებენ შენადნობების სახით. შედის ნახევრად გამტარი მასალების შედგენილობაში. ს. და მისი ნაერთები მომწამლავია.

სტიბიუმის ჟანგბეულები, სტიბიუმის ნაერთები ჟანგბადთან — Sb_2O_3, Sb_2O_4, Sb_2O_5. სამჟანგი უფერული, ადვილად აქროლადი კრისტალებია, ხუთჟანგი — ღია ყვითელი კრისტალები. ს. ₂-ს იყენებენ ფარმაცევტულ და საფეიქრო მრეწველობაში, მინის, კერამიკის, საღებავებისა და სხვ. წარმოებაში.

სტიბიუმის ჰალოგენიდები, სტიბიუმის ნაერთები ჰალოგენებთან; $SbCl_3$ უფერული პიგროსკოპული კრისტალებია; იყენებენ მედიცინასა და მსუბუქ მრეწველობაში და სხვ. SbF_5 წყალში ხსნადი უფერული კრისტალებია, იყენებენ მსუბუქ მრეწველობაში. SbF_5 და $SbCl_5$ სითხეებია, იყენებენ ორგ. სინთეზში.

სტიბიუმოვანი წყალბადი, სტიბინი, SbH_3, ადვილად აქროლადი, არასასიამოვნო სუნის, უფერული აირი; $t_{დუღ}$ —18°C, $t_{დნ}$ — 88°C; ს. წ. მომწამლავია.

სტიგლერი (Stigler) ჯორჯ (დ. 1911), ამერ. ეკონომისტი. დაამთავრა ვაშინგტონის უნ-ტი. ჩიკაგოს უნ-ტის პროფესორი. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (1982) შრომისათვის „სამრეწველო სტრუქტურები, ბაზრების ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების მიზეზები და შედეგების ნაყოფიერი შესწავლა".

სტივენსი (Stevens) სიაკა პრობინ (დ. 24. VIII. 1905, მოიამბა), სიერა-ლეონეს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სამოქალაქო სამართლის დოქტორი (1969), ლიმბას ხალხიდან. განათლება მიიღო სიერა-ლეონესა და დიდ ბრიტანეთში; სამთამადნო მრეწვ. მუშათა გაერთ. პროფკავშირის დამაარსებელი (1950) და 1965-მდე მისი გენ. მდივანი.

ქვეყნის პირველი პოლიტ. პარტიის — სიერა-ლეონეს სახ. პარტიის — ერთ-ერთი დამაარსებელი (1951) და ხელმძღვანელი (1958-მდე). 1960 დააარსა საერთო სახ. კონგრესის პარტია და მისი ლიდერი გახდა. პარლამენტის არჩევნებში პარტიის გამარჯვების შემდეგ 1967 პრემიერ-მინისტრი, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი (1968 აპრ. — 1971 აპრ.), 1971 აპრ-იდან სიერა-ლეონეს რესპ. პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი.

სტივენსონი (Stevenson) რობერტ (დ. 25. VIII. 1920, გლაზგო), ინგლისელი მეცნიერი, ქართველოლოგი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1966). დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (1945). ავტორია ნაშრომებისა: «„ამირანდარეჯანიანის“ საფუძვლები» (1957), „რუსთაველი და არიოსტო“ (1959), «„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ» (1960), «„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის შესახებ» (1960), «„დიდმოურავიანი“ — XVII საუკუნის ეპიკური პოემა» (1962), «„ომაინიანი“ — XVII საუკუნის ქართული რომანი» (1964). თარგმნა „ამირანდარეჯანიანი“ (1958) და ვეფხისტყაოსანი (პროზად 1977), დაურთო ვრცელი შესავალი წერილი და შენიშვნები. *ს. თურნავა.*

სტივენსონი (Stevenson) რობერტ ლიუის ბელფორი (13. XI. 1850, ედინბურგი,— 3. XII. 1894, კ. უპოლუ, სამოა), ინგლისელი მწერალი; წარმოშობით შოტლანდიელი. 1890-იდან ცხოვრობდა სამოის კ-ებზე. ეკუთვნის ისტ. გამოკვლევები, ნარკვევების სერიები, ლიტ.-კრიტ. ნაშრომები, მოთხრ. კრებულები; მსოფლიო სახელი მოუხვეჭა რომანმა „განძთა კუნძული“ (1883), რ-იც სათავგადასავლო ლიტ-რის კლასიკურ ნიმუშადაა მიჩნეული. ეკუთვნის აგრეთვე სხვა სათავგადასავლო და ისტ. რომანები. ს. მწვავე სიუჟეტისა და მიმზიდველი თხრობის ოსტატია, ვიქტორიანული საზ-ბის ანგარიშიანობას უპირისპირებს რომანტ. გატაცებასა და თავგადასავალს.

„სტილ“, „დე სტეილ“ (ჰოლანდ. De Stijl — სტილი), ჰოლანდიელ არქიტექტორთა და მხატვართა ავანგარდისტული გაერთიანება. შეიქმნა 1917 ლეიდენში ამავე სახელწ. ჟურნალის (1917—28) საფუძველზე. დაიშალა 1931. წამოაყენეს ნეოპლასტიციზმის თეორია—გამომსახველობითი, სპ. და შემეცნებითი ამოცანების უარყოფა ხელოვნებაში. ფერწერაში ეს თეორია აისახა აბსტრ. ხელოვნების ე. წ. გეომ. | ნაირსახეობაში (პ. მონდრიანი, „ს-ის“ ორგანიზატორი და თეორეტიკოსი, ბ. ვან დერ ლეკი და სხვ.), არქიტექტურაში — მკაცრი მათ. მეტრიკისა და მოცულობით-სივრცობლივი კომპოზიციის ასკეტური სიზუსტის გაბატონებაში (არქიტ. პროექტები ვან დუსბიურგისა).

სტილბი (<ბერძნ. stilbō — ვბრწყინავ, ვკაშკაშებ), სიკაშკაშის ერთეული ერთეულთა CGS სისტემაში. ქართ. აღნიშნავა *სბ*, ს.ერთაშ. — sb. ს. ტოლია 1 *სმ*^{2} ფართობის მქონე თანაბრად განათებული ბტყელი ზედაპირის სიკაშკაშისა მისდამი პერპენდიკულარული მიმართულებით, როცა სინათლის ძალა 1 *კანდელაა* (სანთელი). SI სისტემის ერთეულებთან თანაფარდობა: 1 *სბ*=1 *კდ/სმ*^{2}=10^4 *კდ/მ*^{2}=10^4 *პ აპოსტილბს=პ ლამბერტს*. ს. პრაქტიკულად გამოსულია ხმარებიდან.

სტილერი (Stiller) მორიც (17. VII. 1883, ჰელსინკი, — 8. XI. 1928, სტოკჰოლმი), შვედი კინორეჟისორი, მსახიობი და სცენარისტი. 1899—1909 მუშაობდა ფინეთის თეატრებში, 1910—12 მეთაურობდა სტოკჰოლმის ექსპერ. „ლილლა-თეატრს“. კინოში მოღვაწეობდა 1912-იდან. საუკეთესო ფილმებია: ს. ლაგერლეფისა [„ბატონ არნეს ფულები“ (1919), „გიუნარ ჰედის საგა“ (1922), „იესტ ბერლინგის საგა“ (I—II სერია, 1923—24)] და ი. ლინნკვისკის [„ცეცხლივით წითელი ყვავილის სიმღერა“ (1918)] რომანების ეკრანიზაციები. დგამდა აგრეთვე მსუბუქ კომედიებს. ს. ე. წ. შვედ. კლასიკური კინოსკოლის ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორია. 1925—28 მუშაობდა ჰოლივუდში.

სტილი (Stil) ანდრე (დ. 1. IV. 1921, ერნიი, ნორის დეპარტ.), ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. საფრ. კომპარტიის წევრი 1942-იდან. მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1950—59 გაზ. „*იუმანიტეს*“ მთავარი რედაქტორი. 1950—69 საფრ. კომუნისტური პარტიის ცკ-ის წევრობის კანდიდატი და წევრი. მოთხრობების პირველ კრებულებში «სტატყვა „მეშახტე“, ამბანაგები» (1949) და «„სენა“ ზღვაში გავიდა» (1950) ასახა საფრ. ომის შემდგომი ვითარება. ტრილოგია „პირველი დარტყმა“ (1951—53): „წყალსაწევ კოშკთან“ (1951, სსრკ სახელმწ. პრემია ამ I წიგნისთვის 1952), „ზარბაზნის ბათქი“ (1952), „პარიზი ჩვენთან არის“ (1953) მშვიდობისათვის ბრძოლის პათოსით გამორჩეულა; ციკლში „ბედნიერების საკითხი დასმულია“ გაერთიანდა ს-ის რომანები („ხვალ ჩვენ ერთმანეთი გვეყვარება“, 1957; „ჩამონგრევა“, 1960; „საათის უკანასკნელი მეოთხედი“, 1962; „ვინ?“, 1969 და სხვ.) და მოთხრობების კრებულები („ეგვიპტური პური“, 1956; „ტკივილი“, 1961; „ხედი ცაზე“, 1967; „ყვავილები შეცდომით“, 1973 და სხვ.); მათში გამოხატულება პოვა თანამედროვე საფრ. ცხოვრების სხვადასხვა ასპექტმა. ს-ის ესთეტ. შეხედულებები გადმოცემულია წიგნში „სოციალისტური რეალიზმისაკენ“ (1952). სისტემატურად აქვეყნებს კრიტიკულ სტატიებს, რეცენზიებს და სხვ. ს. ფსიქ. პორტრეტის ოსტატია, განსაკუთრებული უნარი აქვს გადმოსცეს ადამიანურ გრძნობათა სილამაზეც და ცხოვრების ტრაგედიაც. მისი სტილი ძირითადად სალაპარაკო ინტონაციებს ეყრდნობა; უხვად იყენებს დიალექტიზმებს, 1962 ს. იყო თბილისში. *ი. ბაჩიაშვილი.*

ლიტ.: თურნავა ს., ანდრე სტილის შემოქმედებითი გზა, თბ., 1971.

სტილი (Stelle) რიჩარდ (12. III. 1672, დუბლინი, — 1. IX. 1729, კარმარტენი), ინგლისელი მწერალი. ჯ. *ადისონთან* ერთად ითვლება ინგლ. ჟურნალისტიკის ფუძემდებლად; მისმა ესეებმა საფუძველი შეუმზადეს ინგლ. რეალისტური რომანის განვითარებას. ს-ს ეკუთვნის კომედიები „დასაფლავება“ (1701), „მატყუარა შეყვარებული“ (1703), „ნაზი ქმარი“ (1705), „ვონიერი შეყვარებულები“ (1722), რ-ებშიც ილაშქრებდა რესტავრაციის ეპოქის კომედიის უზნეობის წინააღმდეგ, შემოჰქონდა დიდაქტ. და სანტიმენტალური ელემენტები.

სტილი (ფრანგ. style < ლათ. stylus <ბერძნ. stylos—წვეტიანი ჯოხი, რ-ითაც წერდნენ ბანასთლულ ფირფიტებზე), ხელოვნების ნაწარმოებთა სპეციფიკური თავისებურების გამოვლენის ისტორიული ფორმა, ლიტ-რის განვითარების შემადგენელი კომპონენტების — შემოქმედების მეთოდის, მიმდინარეობისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის — ნიშანდობლივ თვისებათა ერთობლიობა, სპეციფიკური კომპონენტების (კონკრ. ხასიათის) გამოვლენის მთლიანობა. ს. ლიტერატურაში გულისხმობს მასალისა და მისი ესთეტ. ორგანიზაციის გარკვეულ ტიპს, თემისა და მისი განსახოვნების ხერხებისა და საშუალებების გარკვეულ სისტემას, რ-იც მოცემულია კონკრ. მხატვრულ ნაწარმოებში. მარქსისტული ლიტ. თეორია ს-ს განიხილავს, როგორც შემოქმედებითი მეთოდის პრაქტ. ხორცშესხმას შემოქმედებითი ინდივიდუალობის მეშვეობით. ახ. გამომსახველობითი ხერხების აღმოჩენითა და გამოყენებით შემოქმედი — სუბიექტი ამდიდრებს ს-ის არსენალს, რაც ხელს უწყობს მეთოდის განვითარებას. ყველაფერი ეს, ს-ის არსენალის გამდიდრებაც და მეთოდის განვითარებაც, საზ. ცხოვრების განვითარების ტენდენციებითაა განპირობებული; ე. ი. ისტ. კატეგორიაა, ცვლადი, ობიექტური, ცხოვრებისეული მოთხოვნებით ნაკარნახევი და შემოქმედი სუბიექტის ინდივიდ. მონაცემებით რეალიზებული, მაგრამ არ არის რომელიმე მწერლის საკუთრება (რამდენადაც გულისხმობს ამ მწერლამდე არსებულ ელემენტთა გამოყენებას); იგი არც საყოველთაო-სავალდებულო ნორმატიული სისტემაა.

ს. მწერლობის ზოგადი სპეციფიკის ეპოქისეული გამოვლინებაა. მოცემული მხატვრული ლიტ-რა, როგორც სინამდვილის ესთეტ. ათვისების ობიექტური ფორმა, იცვლება ამ სინამდვილის ცვლასთან ერთად. ესთეტ. ათვისება, როგორც ლიტ-რის დანიშნულება, უცვლელია, იცვლება მხოლოდ ათვისების პრინციპები. უცვლელია აგრეთვე ლიტ. ნაწარმოებთა გვარებად და ჟანრებად დაყოფის საფუძველიც.

მწერლის ხელწერის სახელდება ს-ად პირობითადაა შესაძლებელი. ასევე პირობითად შეიძლება ნაწარმოების თემატურ-სტრუქტურულ თავისებურებას ს. ვუწოდოთ. ს. ფართო ცნებაა, ამასთან, მხატვრული მეთოდის მიერ შეუზღუდველი. ს. ხშირად ესმით, როგორც ფრაზის აგების თავისებურება, რაც შეცდომაა, ასევე შეცდომაა ს-ში მხატვრული ენის არევა.

სახვით ხელოვნებაში ს-ის ცნებას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ჯერ კიდევ ძვ. სამყაროში სიტყვა „ს“. აღნიშნავდა ინდივიდ. მანერას; იგი ამჟამადაც იხმარება ხელოვანის შემოქმედების ან მისი მოღვაწეობის ცალკეული პერიოდების ნიშანდობლივ მხატვრულ თავისებურებათა აღსანიშნავად (მაგ., დ. კაკაბაძის სტილი, გვიანდ. რემბრანდტის სტილი). ს-ის მნიშვნელობა ფართოდაა მიღებული რომელიმე ეპოქისათვის დამახასიათებელ; გარკვეულ სპეციფ. ნიშანთა ერთობლიობის მქონე მხატვრულ მიმართულებათა ან ტენდენციათა აღსანიშნავად. ს-ს უწოდებენ ხანგრძლივი დროის მანძილზე რომელიმე ერის სახვითი ხელოვნ. და ხუროთმოძღვრების გარეგნულ ნიშნებს, რ-ებიც შემდგომში მიბაძვის საგანი გახდა (მაგ., „ძველეგვიპტური სტილი“, „ქართული სტილი“); ს. აღნიშნავს აგრეთვე ხელოვნ., ისტ. სხვადასხვა დარგში აზრობრივ, პლასტ. წყობის ერთიანობით გამორჩეულ ცალკეულ პერიოდებს (მაგ., რომანული სტილი, გოტიკური სტილი).

შუა საუკ. ქართ. ხელოვნებამ თავისი განვითარების მანძილზე გაიარა რამდენიმე ჩამოყალიბებული სტილისტური ეტაპი: IV—VI სს. — წინაკლასიკური ხანა, VII ს. — კლასიკური პერიოდი, VIII—IX სს. — გარდამავალი ეპოქა, X—XIII სს. — ცხოველხატული სტილის ხანა, XIV—XVIII სს. — გვიანი ეპოქა.

ს-ს ზოგჯერ არა მხოლოდ ქრონოლოგიური, არამედ ტერიტ. ფარგლებიც აქვს. ს-ის ნიშნები ცალკეულ ისტ. ეპოქებსა და ხელოვნ. განსხვავებულ დარგებში სხვადასხვაგვარად ვლინდება. *რენესანსი* და *კლასიციზმი* მკაფიოდ გამოიჩნდა ხელოვნ. მრავალ დარგში, მაგრამ ისეთი ს-ები, როგორიცაა *ბაროკო* და *როკოკო*, თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი უმთავრესად პლასტ. ხელოვნებაში.

ლიტ.: ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1978.

სტილი, მასის (წონის) ერთეული XVII—XVIII სს. ირანსა და საქართველოში. საქართველოში შეადგენდა ლიტ-რის 1/20-ს. XVII ს. მიწურულამდე უდრიდა 128,8 გ-ს, XVIII ს-ში — 153—165,6 გ-ს.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს.), თბ., 1973. *გ. ჯაფარიძე.*

სტილიზაცია (ფრანგ. stylisation < style—სტილი), რომელიმე ავტორისათვის,



რ. სტივენსონი.



ა. სტილი.



მ. სტირიკოვიჩი.

ჟანრისა და მიმდინარეობისათვის, აგრეთვე განსაზღვრული სოციალური გარემოს, ხალხის, ეპოქის ხელოვნებისა და კულტურისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილის წინასწარ განზრახული იმიტაცია.

ს. ლიტერატურაში მხატვრული ხერხია, გულისხმობს არსებული სტილის გამეორებას, „მიბაძვას", „აღდგენას". ს-ს მიმართავენ ისტ. კოლორიტის შესაქმნელად, მხატვრული სახის საშენ მასალად ან ფაბულურ მოტივად. ს-ის ნიმუშებია გოეთეს „ფაუსტში" გამოყენებული მითოლ. პლასტები, ა. პუშკინის „ყურანის მიბაძვა", „დამწრჩვალი", გ. ფლობერის „ლეგენდა წმინდა ჟიულიენზე", ა. ფრანსის „ანტიკური ნოველები" და სხვ. ქართ. ლიტ-რაში ს-ის ელემენტები გვხვდება ვ. ბარნოვის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ს-ს ინტენსიურად იყენებდნენ რომანტიკოსები. ქართ. ლირიკაში ს-ის ნიმუშია ნ. ბარათაშვილის „მაღლი შენს გამჩენს". ს. შეიძლება გამოყენებული იყოს პაროდიისთვისაც; იგი არ ნიშნავს მწერლისა და პერსონაჟთა ენის დიფერენციაციას.


ს. სახვით ხელოვნებაში გულისხმობს საგანთა და ფიგურათა დეკორ. განზოგადებას მთელი რიგი პირობითი ხერხების, ნახატისა და ფორმის გამარტივების, მოცულობითი და ფერითი თანაფარდობის საშუალებით. ს. *დეკორატიულ ხელოვნებაში* გვევლინება მთლიანობის რიტმული ორგანიზაციის კანონზომიერ მეთოდად. ს. განსაკუთრებით დამახასიათებელია ორნამენტისათვის (იხ. *ორნამენტი*), სადაც მისი მეშვეობით გამოსახვის ობიექტი მოხატულობის მოტივად იქცევა. *დიზაინის* ისტორიაში დიდი როლი ითამაშა მოცულობითი ფორმის ს-მ. *დაზგურ ხელოვნებაში* ს-მ დეკორატიულობის ნიშნები შეიტანა.

სტილისტიკა (ფრანგ. stylistique), 1. ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათ მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან; 2. ამა თუ იმ ენაში გარკვეული ეპოქის, ლიტ. სკოლის, მწერლის მეტყველების, ამა თუ იმ ჟანრის, ცალკეული ნაწარმოებების და ა. შ. გამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობა.

თავდაპირველად ს. ჩამოყალიბდა რიტორიკის სახით. ამჟამად სტილისტიკური საკითხები პოეტიკის შესწავლის ობიექტიცაა და ენათმეცნიერებისაც. პოეტიკური ს-ის ამოცანაა მხოლოდ მხატვრული მეტყველების, პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქციის გამოვლენა. ენათმეცნიერული ს. იკვლევს ყოველგვარ მეტყველებას, მათ შორის არამხატვრულსაც — ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებას, მეცნ. ნაშრომების, პრესის და ა. შ. ენას, როგორც სათანადო შინაარსის გამომხატველ საშუალებას. მეტყველების სხვადასხვა სახეობის სტრუქტურისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა დადგენას ემსახურება ფუნქციონალური ს. იგი არკვევს, კერძოდ, როგორი კონსტრუქციებია მათთვის დამახასიათებელი — აქტიური თუ პასიური, როგორ სიტყვათგანლაგებას ამჯობინებენ ისინი — თავისუფალს თუ შეზღუდულს და ა. შ.

პრაქტიკული ს. გამოყენებითი დისციპლინაა, რ-იც სალიტ. ენის ნორმების საფუძველზე და მეტყველების კულტურის მოთხოვნათა შესაბამისად სათანადო რეკომენდაციებს იძლევა.

შ. აფრიდონიძე.



სტირლინგის ძრავა. ნახ. 1. გარეწვის ძრავას სქემა: 1—ცხელი სილრუე; 2—გამხურებელი; 3—დგუშ-გამომძევებელი; 4—რეგენერატორი; 5—საცივარი; 6—ცივი სილრუე; 7—სამუშაო დგუში; 8—გარე მამუხრუჭებელი; 9—დგუშების მუშაობის მასინქრონიზებელი კბილა თვლები; 10—რომბული მექანიზმი.

სტილიზება (ბერძნ. stylobatēs) ანტიკურ არქიტექტურაში, ძვ. ბერძნული ტაძრის საფეხურისებრი ცოკოლის (სტერეობატის) ზედაპირი, რ-ზედაც აწყობენ სვეტნარს. ზოგჯერ ს-ს უწოდებენ სტერეობატის მთელ ზედა საფეხურს.

სტილოსი (ბერძნ. stylos—ჯოხი, ჩხირი), ძველის ან ლითონის წვერწამახულიჩხირი, რ-საც ძველად საწერ იარაღად იყენებდნენ. ძვ. ბერძნები და რომაელები ს-ით წერდნენ ცვილით დაფარულ ხის ფირფიტებზე. ამ იარაღის სახელწოდებიდან განვითარდა განყენებული ცნება „*სტილი*".

სტილტიესის ინტეგრალი, განსაზღვრული *ინტეგრალის* განზოგადება; ჩამოაყალიბა ნიდერ. მათემატიკოსმა თ. ი. სტილტიესმა (Stieltjes, 1856—94) 1894. მისი არსი ასეთია: ჩვეულებრივი ინტეგრალური ჯამების $\Sigma f(\xi_i)(x_i - x_{i-1})$ ზღვრის ნაცვლად განიხილება ზღვარი $\Sigma f(\xi_i)[\varphi(x_i) - \varphi(x_{i-1})]$ ჯამებისა, სადაც „მაინტეგრირებელი" $\varphi(x)$ ფუნქციას აქვს სასრული ცვლილება. თუ $\varphi(x)$ დიფერენცირებადია, მაშინ ს. ი. გამოისახება ჩვეულებრივი ინტეგრალით:

$$\int_a^b f(x)\,d\varphi(x) = \int_a^b f(x)\,\varphi'(x)\,dx,$$

თუ უკანასკნელი არსებობს.

სტიმულატორები ნერვული მოქმედებისა (გვიანდ. ლათ. stimulator < ლათ. stimulo — ვჩხვლეტ, აღვაგზნებ), ფარმაკოლოგიურ ნივთიერებათა ჯგუფი, რ-იც მაღლა სწევს ცენტრ. ნერვული სისტემის აგზნებადობას და აღადგენს მის დათრგუნვილ ფუნქციებს, აუმჯობესებს ფსიქ. და ფიზ. შრომისუნარიანობას, გუნება-განწყობას და სხვ. ფარმაკოლ. ეფექტის მიხედვით არსებობს სტიმულატორების 3 ჯგუფი: ფსიქოსტიმულატორები (მაგ., კოდეინი, ფენამინი) ააქტივებენ ფსიქ. მოქმედებას; მათ იყენებენ ფსიქ. და ფიზ. შრომისუნარიანობის დაქვეითების შემთხვევებში; ანტიდეპრესანტები (ტრიციკლური შენაერთები — იმიზინი, ამიტრიპტილინი, აზაფენი და სხვ.; მონოამინოქსიდაზას ინჰიბიტორები — იპრაზიდი, ნიალამიდი და სხვ.) ხსნიან ფსიქ. დეპრესიის მდგომარეობას, ამიტომ მათ იყენებენ იმ ნერვულფსიქ. დაავადებათა დროს, რ-თაც დაერთვის უარყოფითი ემოციები, ცუდი გუნებაგანწყობა, უინიციატივობა და სხვ.; ანალეპტიკები (კორაზოლი, კორდიამინი, სტრიქნინი, ქაფური და სხვ.) მაღლა სწევენ სუნთქვის ცენტრებისა და სისხლის მიმოქცევის აგზნებადობას; მათ იყენებენ სხვადასხვა მძიმე დაავადების და ტერმინალური მდგომარეობის დროს თავის ტვინის სათანადო ცენტრებისა და ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების აღსაგზნებად. სტიმულატორების დადებითი ეფექტი ვლინდება მხოლოდ ცენტრ. ნერვული სისტემის გარკვეული ფუნქციების შესუსტების შემთხვევაში. ნორმალური მდგომარეობის დროს ფუნქციათა გაძლიერება არ ხდება, რადგან ს. ნ. მ. ორგანიზმს ენერგეტ. რესურსებს კი არ აწვდიან, არამედ მხოლოდ მობილიზაციას უკეთებენ მის არეზერვო შესაძლებლობებს. ზოგიერთი ფსიქოსტიმულატორის (განსაკუთრებით ფენამინის ჯგ.) ხანგრძლივი მიღებისას შეიძლება განვითარდეს ამ ნივთიერებისადმი მიჩვევა (იხ. *ნარკომანია*).

სტიმულირება ეკონომიკური, ღონისძიებათა სისტემა — მატერიალური საშუალებებით წარმოების მუშაკების წახალისება საზოგადოებრივი პროდუქტის შესაქმნელად. ს. მ-ის ხასიათი, ფორმა და მეთოდები დამოკიდებულია საზ-ბაში გაბატონებულ *წარმოებით ურთიერთობაზე*.

კაპიტალიზმის დროს ს. წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. *წარმოების საშუალებების* მესაკუთრეების (კაპიტალისტების) საქმიანობას სტიმულს აძლევს *ზედმეტი ღირებულების* მითვისების შესაძლებლობა, ხოლო წარმოების საშუალებებს მოკლებული მშრომელების შრომის მასტიმულირებელია ეკონ. იძულება (იხ. სტ. *კაპიტალიზმი*).

სოციალიზმის დროს ს. ემყარება შრომის მიხედვით განაწილების კანონის მოქმედებას და განისაზღვრება სოციალ. წარმოებითი ურთიერთობით, რ-იც გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, რადგან წარმოების ყველა მონაწილე ერთდროულად არის როგორც წარმოების საშუალებების, ისე თავისი სამუშაო ძალის მესაკუთრე. ამ პირობებში მიიღწევა საერთო-სახ., კოლექტ. და პირადი ინტერესების ერთიანობა.

სტიპენდია (ლათ. stipendium — ჯამაგირი, გასამრჯელო), ფულადი დახმარება, რ-საც სისტემატურად იღებენ (ჩვეულებრივ, ყოველთვიურად) სპეციალური სასწავლებლების დღის სწავლების განყებების სტუდენტები, აგრეთვე ასპირანტები და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მსმენელები, რ-ებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოწყვეტით.

ს. პირველად გაჩნდა შუა საუკ. უნტებსა და საქალაქო სკოლებში. რუსეთში — XVIII ს-ში; ს-ის სახსრები იკრიბებოდა კერძო შემოწირულებებიდან, ქალაქის მაგისტრატის, ეკლესიის მიერ გამოყოფილი თანხებიდან, სახელმწ. ხაზინიდან.

სსრკ-ში არსებობს ს-ების სახელმწ. სისტემა, რ-ის მიზანია, განათლების ყველა საფეხურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა. ს-ების ძირითადი წყაროა სახელმწ. ბიუჯეტის შემოსავალი, ხოლო უმაღლეს და საშ. სპეც. სასწავლებლებში საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭ. მეურნეობათა, კოლ-ბათა წარგზავნილებს ს. ენიშნება ამ ორგანიზაციათა ხარჯზე. პროფტექ. სასწავლებლებში ს. ენიშნება ყველა მოსწავლეს, ვინც სწავლაში ასწრებს. ს. ეძლევა ასპირანტებსაც. ს. ინიშნება დიფერენცირებულად (სხვადასხვა ნიშნით). არის სახელობითი ს., რ-იც ენიშნება სწავლასა და სამეცნ.-კვლ. მუშაობაში წარმატებებისა და აქტ. საზ. საქმიანობისათვის.

სოციალ. ქვეყნებში არსებობს ს-ების სახელმწ. სისტემა. ს-ის დანიშვნისას ითვალისწინებენ აკად. მოსწრებასა და მატერ. მდგომარეობას.

კაპიტალ. ქვეყნებში ს-ები ენიშნება სახელმწ., მონოპოლიების, ქველმოქმედი ორგანიზაციების, კერძო ფონდებისა თუ ცალკეული პირების შემოსავლიდან. ს-ს იღებს სტუდენტების 30—40%, მაგრამ ეს მათ არ ათავისუფლებს სწავლების ქირისაგან.

სტიპა-პოინტი (Steep Point), ავსტრალიის კონტინენტის უკიდურესი დას. წერტილი (ა. გ. 113°15′).

სტირაქსისებრნი (Styracaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ხეები და ბუჩქებია. მათი ფოთლები, ისევე როგორც სხვა ნაწილები, ხშირად დაფარულია ვარსკვლავისებრი ან ქერქლისებრი ბეწვებით. ყვავილები ორსქესიანი და 4—5-წევრიანია. ნაყოფი კოლოფია. ოჯახში თავმოყრილია 12 გვარის 150-მდე სახეობა, რ-ებიც უმთავრესად გავრცელებულია აზიის და ამერ. ტროპიკებსა და სუბტროპიკებში, მხოლოდ 1 გვარია ტროპ. აფრიკაში და 1 სახეობა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში. სტირაქსი (Styrax) გვარის ბევრი სახეობიდან

(S. benzoin, S. tonkinensis და სხვ.). მიიღება არომატული ფისი (ბენზოინის ფისი), რ-საც იყენებენ მედიცინასა და პარფიუმერიაში.

სტირიკოვიჩი მიხეილ ადოლფის ძე [დ. 3 (16). XI. 1902, პეტერბურგი], საბჭ. თბოენერგეტიკოსი და თბოფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1964), სოციალ. შრომის გმირი (1972). 1927 დაამთავრა ლენინგრ. ტექნოლ. ინ-ტი. 1928—46 მუშაობდა ქვაბ-ტურბინების ინ-ტში, 1939—71 ლექციებს კითხულობდა მოსკ. ენერგეტ. ინ-ტში. 1939—60 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ენერგეტ. ინ-ტში, 1961-იდან — მაღალ ტემპ-რათა ლაბორ. (1962-იდან — სსრკ მეცნ. აკად. მაღალ ტემპ-რათა ინ-ტი) მასათა მიმოცვლის განყ-ბის გამგე. ს-ის მთავარი შრომების თემაა თბომაღალური დანადგარებისა და ორთქლის ქვაბების სამუშაო პროცესების გამოკვლევა, თბოგადაცემა მდუღარე სითხეში მაღალი წნევის დროს; დაამუშავა ქვაბაგრეგატების თბური და აეროდინამ. გაანგარიშების ნორმები, გამოიკვლია მდუღარე სასაზღვრო შრის სტრუქტურა; მასათა მიმოცვლა და ფიზ.-ქიმ. პროცესები *მაგნიტოჰიდროდინამიკურ გენერატორებში* და სხვ. სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი, მასათა მიმოცვლის მსოფლიო ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.


თხზ.: Процессы генерации пара на электростанциях, М., 1969 (თანაავტ.: О. И. Мартынова и З. Л. Миропольский).

სტირლინგის ფორმულა, ფორმულა, რ-იც იძლევა პირველი n ნატურალური რიცხვის ნამრავლის (ე. წ. ფაქტორიალის) $1\cdot 2\cdot \ldots \cdot n = n!$ მიახლოებითი გამოთვლის საშუალებას, როდესაც თანამამრავლთა n რიცხვი დიდია. ს. ფ. დადგინა შოტ. მათემატიკოსმა ჯ. სტირლინგმა (J. Stirling, 1692 — 1770) 1730. ს. ფ. ადგენს მიახლოებითს ტოლობას:

$$n! \approx \sqrt{2\pi n}\, n^n e^{-n},$$

სადაც $\pi = 3{,}14159\ldots$, $e = 2{,}71828\ldots$ (ნატურალური ლოგარითმის ფუძე), ამასთან ფარდობითი ცდომილება ამ ფორმულით $n!$ გამოთვლისას ნაკლებია $e^{1/12n} - 1$-ზე და, მაშასადამე, მიისწრაფვის ნულისაკენ n-ის განუსაზღვრელი ზრდისას. მაგ., თუ $n = 10$, ს. ფ. იძლევა $n! \approx 3598700$ იმ დროს, როდესაც ზუსტი მნიშვნელობაა $10! = 3628800$. ს. ფ-ს ფართოდ იყენებენ ალბათობის თეორიაში, მათ. სტატისტიკაში და სხვ.

სტირლინგის ძრავა, გარეწვის ძრავა, ძრავა, რ-შიც გარედან აწვდიან და არეგენერირებენ სითბურ ენერგიას (უკანასკნელი შემდგომ გარდაიქმნება სასარგებლო მექან. მუშაობად). სახელწ. „ს. ძ." მომდინარეობს ინგლ. გამომგონებლის რ. სტირლინგის (R. Stirling; 1790—1878) სახელიდან. თავდაპირველად ს. ძ. იყო ვეებერთელა და მძიმე, რის გამოც პრაქტიკულად ვერ იყენებდნენ. თანამედროვე ს. ძ. მუშაობს შეკრული რეგენერაციული ციკლით (სტირლინგის ციკლით). ს. ძ-ის მუშა სხეული — ჰელიუმი ან წყალბადი [წნევა 10—14 *მეგპა* (100—140 *კგძ/სმ*^{2})] — დახშულ სივრცეშია და მუშაობის პროცესში არ შეიცვლება, იცვლის მხოლოდ მოცულობას გათბობისა და გაგრილებისას. რეგენერატორი ყოფს ამ სივრცეს ზედა (ცხელ) და ქვედა (ცივ) სიღრუედ (ნახ. 1). ზედა სიღრუეს სითბო მიეწოდება გამხურებლისაგან, ქვედა სიღრუიდან კი სითბოს არინება ხდება საცივარით, რ-შიც ცირკულირებს წყალი. ს. ძ-ის ცილინდრში 2 დგუშია — სამუშაო და გამოსაძევებელი. ცხელი და ცივი სიღრუეები ერთმანეთს უერთდება არხებით, რ-ებიც გადის გამხურებელზე, რეგენერატორსა და საცივარზე. ს. ძ-ს სამუშაო ციკლი სრულდება 4 ტაქტად (ნახ. 2). თეორიულად ს. ძ-ს მქკ სითბოს რეგენერაციის შედეგად შეიძლება გაუტოლდეს *კარნოს ციკლით* მომუშავე შიგაწვის ძრავას მქკ-ს, სინამდვილეში იგი მხოლოდ უახლოვდება *დიზელის* მქკ-ს. დგუშების უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის გარდაქმნა ბრუნვითს მოძრაობად ხორციელდება რომბული მექანიზმით (იხ. ნახ. 1). დამუშავებულია მრავალცილინდრიანი მწკრივული ანუ V-ებრი ორმაგი მოქმედების ს. ძ., რ-ის ყოველ ცილინდრში მხოლოდ 1 დგუშია (იგი უზრუნველყოფს მუშა სხეულის შეკუმშვას, გაფართოებასა და გამოძევებას). სამუშაო პროცესი სრულდება ერთდროულად დგუშის ორივე მხარეს მდებარე სიღრუეში. ს. ძ-ში საწვავი იწვის ფრქვევანებში (სანთურებში), რ-თა ალი მიმართულია გამხურებლის მილებისაკენ. ს. ძ. მუშაობს ნებისმიერი საწვავით (ბირთვულის ჩათვლით), ამასთან უხმაუროდ. იგი მეტად საიმედოა და ეკონომიური. აქვს ნაკლიც: დიდია მისი გაბარიტები და მასა, შედარებით ძვირია, ძნელია მისი სწრაფმავლობის გადიდება, რთულია რეგულირება, მართვა და მამჭიდროებლების კონსტრუქცია. ყველაზე კარგადაა დამუშავებული სატვირთო მანქანებისა და გემებისათვის განკუთვნილი ს. ძ-ები.



სტირლინგის ძრავა. ნახ. 2. სტირლინგის ძრავას მუშაობის სქემა: I—შეკუმშვის ტაქტი; II—გახურების ტაქტი; III—სამუშაო სვლა; IV—გაგრილების ტაქტი; 1—სამუშაო დგუში; 2—ცივი სიღრუ; 3—რეგენერატორი; 4—ფრქვევანა (სანთურა); 5 — დგუშ-გამომძვებელი; 6—ცხელი სიღრუ; 7—საცივარი.

ლიტ.: Белов П. М., Бурячко В. Р., Акатов Е. И., Двигатели армейских машин, ч. 1, М., 1971.

სტირმასიგი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (კიროვის სოფსაბჭო), მდ. ჯეჯორის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1350 *მ*, ჯავიდან 42 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 62 *კმ*. კიროვის სახ. მეხორცეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა.

სტიროლი, ფენილეთილენი, ვინილბენზოლი, $C_6H_5CH=CH_2$, სპეციფიკური სუნის მქონე უფერული სითხე; $t_{დნ} = -30{,}6°C$, $t_{დუღ} = 145{,}2°C$, სიმკვრივე 906 *კგ/მ*^{3}; წყალში პრაქტიკულად უხსნარია. კარგად ერევა მრავალ ორგ. გამხსნელს. ადვილად იჟანგება. იერთებს ჰალოგენებს, განიცდის პოლიმერიზაციასა და თანაპოლიმერიზაციას სხვადასხვა მონომერთან. ძირითადად ღებულობენ ეთილენბენზოლისაგან; იყენებენ *პოლისტიროლისა* და მისი სხვადასხვა თანაპოლიმერის წარმოებაში.

სტირწყალი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (ხეწის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1250*მ*, ჯავიდან 6 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ*. ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა დაბა ჯავაში.

სტიუარტები (Stuart, Stewart), შოტლანდიისა (1371-იდან) და შემდეგ ინგლისის (1603—49, 1660—1714) სამეფო დინასტია. წარმოდგა შოტ. წარჩინებულთა საგვარეულოდან, რ-საც XII ს-ში სამეფოს მმართველის — სტიუარტის თანამდებობა ეკავა (აქედან დინასტიის სახელწოდება). ს. განსაკუთრებით აღზევდნენ იმის შემდეგ, რაც უოლტერ ს-მა ცოლად შეირთო (1315) შოტ. მეფის რობერტ I ბრიუსის ასული, რ-თა ვვილი რობერტ II შოტლანდიის მეფე გახდა (1371). შოტლანდიის მეფე ჯეიმზ IV (1488—1513) დაუნათესავდა ინგლ. *ტიუდორების* დინასტიას [მისი შვილიშვილი იყო *მარიამ (მერი) I სტიუარტი*]. შოტ. მეფე ჯეიმზ VI (მარიამ ს-ის ძე) ელისაბედ I ტიუდორის ანდერძით ინგლ., შოტ. და ირლ. მეფე გახდა ჯეიმზ I-ის სახელით. ჯეიმზ I-ის და მისი შვილის ჩარლზ I-ის აბსოლუტისტურმა პოლიტიკამ ქვეყანა რევ. კრიზისამდე მიიყვანა (იხ. *ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII ს.*), ჩარლზ I სიკვდილით დასაჯეს (1649), ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. მონარქიის რესტავრაციის (1660) შემდეგ ს-მა კვლავ დაიკავეს ინგლ. ტახტი. 1688—89 გადატრიალების (იხ. *უსისხლო ანუ საბელოვანი რევოლუცია*) შემდეგ ინგლ. ტახტი უილიამ III ორანელმა (მეფე 1689—1702) დაიკავა, რ-იც მართავდა თავის ცოლთან (ჯეიმზ II-ის ასული) მარიამთან ერთად. ენ ს-ის (დედოფალი 1702—14) სიკვდილის შემდეგ ინგლ. ტახტი გადავიდა ს-ის შორეული ნათესავების—ჰანოვერის დინასტიის წარმომადგენლების ხელში.

სტიუარტი (Stuart) გილბერტ (3. XII. 1755, ნარაგანსეტი, როდ-აილენდი, — 9. VII. 1828, ბოსტონი), ამერიკელი ფერმწერი, პორტრეტისტი. სწავლობდა კ. ალექსანდერთან (1769-იდან). ცხოვრობდა და მუშაობდა დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში (1773—92). ს. ამერ. პორტრეტული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის ნახატებში ხორცშესხმულია ჩრდ. ამერიკაში ბრიტ. კოლონიების განმათ. ბრძოლის ეპოქის მოწინავე პურჯ.-განმანათ. იდეები. ს-ის საუკეთესო ნაწარმოებებს („მოციგურავე", 1782, „ჯ. ვაშინგტონი", 1795 — ორივე ეროვნ. გალერეა, ვაშინგტონი) ახასიათებთ ფსიქოლ. სიღრმე, მკაცრი სიმართლე და ბუნებრიობა.

სტიქარონი (<ბერძნ. stichēron), ერთი ან რამდენიმე სტროფისაგან შემდგარი პოეტური საგალობელი, რ-იც ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ცისკრად და მწუხრზე სრულდება ფსალმუნების ან სხვა ბიბლიური ტექსტების შემდეგ. გამოყენების მიხედვით განასხვავებენ: 1. ს-ს, რ-იც მწუხრზე 140-ე ფსალმუნთან ერთად სრულდება (ქართ. სახელწ. „უფალო ღაღადყავსა"), 2. რ-იც 148, 149 და 150-ე ფსალმუნებთან არის დაკავშირებული (ქართულად „აქებდითსად" იწოდება), 3. რ-იც სხვადასხვა დღესასწაულზე სხვადასხვა ფსალმუნს თუ ბიბლიურ ტექსტს დაერთვის ცისკრად (ქართ. სახელწ. „აღვიცხენითსა") და მწუხრზე (ქართ. სახელწ. „ს."). ამგვარად, ქართ. ნიადაგზე ტერმ. „ს-ის" მნიშვნელობა დავიწროებულია. XI ს-იდან ქართ. ძეგლებში ს. იხმარება „აღვიცხენითსას" და ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობითაც. ქართ. სამეცნ. ლიტ-რაში მრავლობითის ფორმით („ს-ები") ნახმარი ეს ტერმინი ამ საგალობლის ყველა სახეობას გულისხმობს.

ლიტ.: Кекелидзе К. С., Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тфл., 1912. *ლ. ბენსურიანი.*

სტიქია (ბერძნ. stoicheion — პირველსაწყისი, დასაბამი, ელემენტი), 1. ანტიკურ ფილოსოფიაში — ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი (ჰაერი, წყალი, მიწა, ცეცხლი და მისთ.). 2. ბუნების მძლავრი მოვლენა (ქარიშხალი, ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა); 3. გადატანითი მნიშვნელობით, ვისიმე მოქმედების, ცხოვრების ჩვეული, საყვარელი გარემო, საყვარელი საქმე.

სტოა (ბერძნ. stoia, stoa) ანტიკურ არქიტექტურაში, გრძელი გალერეა - *პორტიკი*, რ-საც ერთ-ერთ გრძივ მხარეს გასდევს სვეტების 1 ან 2 მწკრივი, ხოლო მეორე მხარეს — კედელი. ს-ს ხშირად ამკობენ ქანდაკებებით ან მოხატულობით.



გ. სტიუარტი. „ინდიელთა ბეღლადი ტაიენდანეგეა". 1786.

სტოდოლა (Stodola) აურელ (10. V. 1859, ლიპტოვსკი-მიკულაში, ახლანდ. ჩეხოსლ. სსრ, — 25. XII. 1942, ციურიხი), სლოვაკი ინჟინერი და მეცნიერ-



ლ. სტოიანოვი.

თბოტექნიკოსი. 1878 დაამთავრა ბუდაპეშტის პოლიტექ. ინ-ტი, 1881 — ციურიხის უმაღლესი ტექ. სკოლა. 1884—92 მუშაობდა სხვადასხვა მანქანათსაშენ ქ-ნაში. 1892—1929 ციურიხის უმაღლესი ტექ. სკოლის პროფესორი. ს-ს მთავარი შრომები ეხება თერმოდინ. და აეროჰიდროდინამ. თეორიას, ორთქლისა და აირის ტურბინების გაანგარიშებას, ავტომ. რეგულირების თეორიასა და ცენტრიდანულ კომპრესორებში ცირკულაციის თეორიას. ს-მ შეისწავლა საქშენების მუშაობა ცვლადი რეჟიმის დროს, გამოიკვლია ენერგიის გარდაქმნა ტურბინის მუშა ფრთებზე, დაამუშავა ორთქლის ტურბინების ფრთების, დისკოების, ლილვებისა და როტორების რხევასა და სიმტკიცეზე გაანგარიშების საინჟინრო მეთოდები და ა. შ. რეგულირების სისტემების მდგრადობის გამოკვლევასთან დაკავშირებით 1890-იანი წწ. დასაწყისში წამოაყენა მათ. პრობლემა, რ-საც მოგვიანებით ჰურვიცის პრობლემა უწოდეს.

თხზ.: Принцип регулирования Сименсов и американские инерционные регуляторы, წგნ.: Максвелл Д. К., Вышнеградский И. А., Стодола А., Теория автоматического регулирования, М., 1949.

სტოიანოვი ზახარი (1850 ან 1851, სოფ. მედვენი, სლივენის ოკრუგი, — 2. IX. 1889, პარიზი), ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. სტარა-ზაგორის (1875) და აპრილის (1876) აჯანყებების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ლიტ. მოღვაწეობა 1880 დაიწყო. დააარსა გაზეთები „რაბოტნიკი“ (რუსე, 1881), „ბორბა“ (პლოვდივი, 1885) და სხვ. აქვეყნებდა ფელეტონებს, სტატიებს, ნარკვევებს. აღსანიშნავია მოთხრ. „ისკანდერ ბეი“ (1882). ავტორია ვ. ლევსკის (1883), ხ. ბოტევის (1889) და სხვ. ბიოგრაფიებისა. მნიშვნელოვანია ს-ის „ჩანაწერები ბულგარეთის აჯანყებებზე“ (ტ. 1—3, 1884—92).

სტოიანოვი ლიუდმილ (ნამდვ. სახელი და გვარი გეორგი სტოიანოვ ზლატაროვი) (6. II. 1886, კოვაჩევიცა, ბლაგოევგრადის ოკრუგი, — 11. IV. 1973, სოფია), ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბულგ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), დიმიტროვის პრემიის ლაურეატი (1950), სოციალ. შრომის გმირი (1963), ბულგ. კულტურის სახ. მოღვაწე (1963). ბულგ. კომპარტიის წევრი 1944-იდან. ლიტ. მოღვაწეობის დასაწყისში სიმბოლიზმს ემხრობოდა (კრებ. „მოჩვენებები გზაჯვარედინზე“, 1914; „მახვილი და სიტყვა“, 1917), მისი ნაწარმოებები თანდათან დაუახლოვდა რეალიზმს (პოეტური კრებულები: „წინასპარი“, 1925; „წმიდათაწმიდა“, 1926; „მიწიერი ცხოვრება“, 1939). მნიშვნელოვანია მოთხრობები: „პოლკოვნიკ მატოვის ვერცხლის ქორწილი“ (1933), „ქოლერა“ (1935), „ბავშვობა“ (1962) და რომანი „განთიადისას“ (1945). იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი (1950-იდან). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, გ. დიმიტროვის 3 ორდენითა და მედლებით.

სტოიციზმი [ათენის იმ პორტიკის სახელის მიხედვით (Stoa), სადაც სკოლა იყო მოთავსებული], ელინისტური და რომაული ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმდინარეობა; სტოიკოსების ფილოსოფიური სკოლა, ძვ. წ. III ს-ში. დააარსა ზენონ კიტიონელმა (336—264). ს-მა განვლო განვითარების სამი პერიოდი: ძველი, შუა და გვიანდ. ანუ ახ. სტოის პერიოდი. I პერიოდის ს. (ძვ. წ. III—II სს.) საკუთრივ ბერძნ. ნიადაგზე განვითარდა. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან ზენონ კიტიონელი, კლეანთე, ქრისიპე. მათ ფილოსოფია სამ დარგად დაყვეს: ლოგიკად, ფიზიკად და ეთიკად. ამ უკანასკნელს დაუმორჩილეს ფიზიკა და ლოგიკა. ეთიკაში რიგორიზმის პრინციპის საფუძველზე განავითარეს პიროვნების სულიერი სიმტკიცის, გარეშე მოვლენებისადმი გულგრილობისა („ადიაფორა“) და მოვალეობის ფილოს. საკითხები.

ბუნების ახსნის ოთხ მატერ. საწყისთან ერთად ს-მა აღიარა სულიერი საწყისი — აქტ. გონითი პრინციპი („ლოგოსი“) და ამ გზით პანთეიზმად განვითარდა. ამასთან გაიზიარა ტელეოლოგიზმისა და ფატალიზმის პრინციპები. ლოგიკაში, ერთი მხრივ, განვითარებულია ფორმალური ლოგიკის საფუძვლები, მეორე მხრივ, საფუძვლიანადაა დამუშავებული შემეცნების თეორიის არსებითი მომენტები: ასახვის ცნება („კატალეფსის“), ჭეშმარიტების რაობა, ცნებაში მნიშვნელობისა (საზრისის — „ლექტონ“) და გამოხატულებითი (სიმბოლო) მხარეების ერთიანობა.


შუა პერიოდის (ბერძნ.-რომაული) ს-მა (ძვ. წ. II—I სს.) შეამზადა ს-ის გვიანდ. ანუ ახალი სტოის პერიოდი, ე. წ. რომაული ს. (ახ. წ. I—II სს.), რ-ის მთავარი წარმომადგენლები არიან *სენეკა*, ეპიქტეტე, *მარკუს ავრელიუს ანტონინუსი*. მათ პლატონური ფილოსოფიის ძლიერი გავლენა განიცადეს და ფილოსოფია არსებითად იდეალ. ეთიკაზე დაიყვანეს. სტოელთა კოსმოპოლიტიზმის მიხედვით, ადამიანის სამშობლოა მსოფლიო; ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია, შეუძლებელია სულის დამონება, ამიტომ მონაც თავისუფალია, ოღონდ ღმერთის წინაშე. სენეკას რელიგ. შეხედულებებმა თეორ. საფუძველი მოამზადა ქრისტიანობის წარმოშობისათვის.

ლიტ.: გოგიბერიძე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968.

მ. ჭელიძე.

სტოკპორტი (Stockport), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, დიდი მანჩესტერის საგრაფოში, მდ. მერზის ნაპირზე. 136 ათ. მცხ. (1981). ჩარხთმშენებლობა, ქიმ. მრეწვ., შიგაწვის ძრავების, საფეიქრო მრეწვ. მოწყობილობის, ბამბის ნართისა და ქუდების წარმოება.

სტოკჰოლმი (Stockholm), შვეციის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. გაშენებულია ნორსტრემის ფშანის ნაპირებსა და მიმდებარე კუნძულებზე ბალტიის ზღვის სალტშენის ყურეში. ჰავა ზომიერია, ოკეანისა. იცის შედარებით რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —3°C-მდე), გრილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 18°C) ხშირი წვიმებითა და ძლიერი ქარებით. ნალექები დაახლ. 600 *მმ* წელიწადში. 630 ათ. მცხ., დიდ ს-ში — 1,25 მლნ. ათ. (1983).



სტოკჰოლმი. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ხედი. წინა პლანზე—ძველი ქალაქი; უკანა პლანზე—მელარენის ტბა.

ქალაქის მმართველობას ახორციელებს მოსახლეობის მიერ არჩეული მუნიციპალური საბჭო მერის მეთაურობით.

ისტორიული ცნობა. ახლანდ. ს-ის ტერიტ. დასახლებული იყო ად. წ. პირველი საუკუნეებიდან. წერილობითი ცნობები ს-ის შესახებ ეკუთვნის 1252 (ეს წელი ითვლება ს-ის დაარსების თარიღად, დამაარსებელი — *ბირგერ იარლი*). XIII ს. შუა წლებში ს-მა საქალაქო უფლება მიიღო. XIV ს. დამლევიდან შვეციის მთავარი ქალაქი გახდა. 1356 ს-ში გაჩნდა შვეციაში პირველი ხელოსნური ამქარი. *კალმარის უნიის* გაუქმებისათვის ბრძოლის დროს ს-ის სახ. ლაშქარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა 1471 გამარჯვებაში. ს-ის დასაპყრობად იბრძოდა დანიის მეფე კრისტიან II (იხ. *სტოკპოლმის სისხლიანი აბანო*). XVI—XVII სს-ში ს-ის ეკონ. და პოლიტ. როლი გაიზარდა.

ს-ში ხშირად ტარდება საერთაშ. კონგრესები და თათბირები. 1906 ს-ში მუშაობდა რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა. ს-ში ბევრჯერ იყო ვ. ი. ლენინი. 1950 მარტში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივმა კომიტეტმა ს-ში მიიღო მოწოდება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, 1975 ივნ-ში — გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების შესახებ. 1967, 1969 ს-ში ჩატარდა მშვიდობისმოყვარე ძალთა მსოფლიო კონფერენციები ვიეტ. საკითხთან დაკავშირებით.

ეკონომიკა. დიდი ს-ის წილად მოდის ქვეყნის სამრეწვ. წარმოების დაახლ. 10%. მრეწვ. მთავარი დარგებია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. დიდი ს-ის საწარმოები უშვებენ შვეციის მანქანათსაშ. მრეწვ. პროდუქციის დაახლ. 15%-ს. განვითარებულია ელექტრონიკა და რადიოელექტრონიკა, აგრეთვე სამრეწვ. მოწყობილობის, კომპრესორებისა და პნევმ. იარაღის, საკანტორო მანქანების წარმოება, სატრანსპ. მანქანათმშენებლობა. პოლიგრ., კეების, მსუბუქი, ფარმაცევტული, ქიმ. მრეწველობა. ს-ში არის შვეციის უდიდესი ბანკები, წამყვანი სამრეწვ. კონცერნებისა და სავაჭრო კომპანიების გამგეობები. სალტშენის ყურის სიღრმე უზრუნველყოფს ს-ში საზღვ. გემების შესვლას. ს-ის ნავსადგური ტვირთბრუნვით (დაახლ. 5 მლნ. ტ წელიწადში) მე-4 ადგილზეა შვეციაში. ს. ელექტრიფიცირებული სარკინიგზო ხაზებისა და ჩქაროსნული ავტოსტრადების კვანძია; საავტ. ბორნით უკავშირდება ქ. ტურკუს (ფინეთი). აეროპორტები — არლანდა (საერთაშ.) და ბრომა (შიგა ხაზები). მეტროპოლიტენი.

არქიტექტურა. ისტ. ბირთვს შეადგენს ძვ. ქალაქი, რ-შიც ნაწილობრივ შემონახულია შუა საუკ. დაგეგმარება. ქალაქის თანამედროვე ცენტრია ნორმალმი, აქვეა მთავარი ქუჩა (კუნგსგატანი). აქ მდებარეობს სავაჭრო ნაგებობათა უზარმაზარი კომპლექსი. ს-ის სამხრ. რ-ნი ძირითადად საცხოვრ. სახლებით არის განაშენიანებული. შუა საუკ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: სტორჩიურკის და რიდარჰოლმსჩიურკის რომანულ-გოთიკური ეკლესიები (ორივე XIII ს.), XVII ს. ნაგებობანი, რ-ებშიც შეხამებულია გვიანდ. რენესანსული და ბაროკოს სტილის ელემენტები (ტიუსკაჩიურკის ეკლესია, დაახლ. 1640, არქიტ. ჰ. ი. კრისტლერი), შვედური ბაროკოს დიდებული ძეგლები: დროტნინგჰოლმისა (1662-იდან, არქიტ. ნ. ტესინ-უფროსი) და მეფეთა (1697—1760, არქიტ. ნ. ტესინ-უმცროსი და სხვ.) სასახლეები; XVIII ს. არქიტექტურაში ვრცელდება როკოკოს სტილი; XIX ს. დასასრ. — XX ს. დასაწყ. — ეროვნ. რომანტიზმი (რატუშა, 1911—23, არქიტ. რ. ესტბერგი), 1930-იანი წლებიდან— ფუნქციონალიზმი; 1950-იანი წლებიდან ქალაქის განაშენიანება მიმდინარეობს ს. მარკელიუსის ხელმძღვანელობით.

სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები. ს-ში არის უნ-ტი,

სამეფო უმაღლესი ტექ., სავეტერინარო სკოლები, უმაღლესი სამუსიკო სკოლა, ხელოვნ. სკოლა და სხვ.; შვეციის სამეფო მეცნ. აკად., ლიტ-რის, ისტ. და სიძველეთა სამეფო აკად. და სხვ.; ეროვნ., ჩრდ., ზღვის ეროვნ., თანამედროვე ხელოვნ. მუზეუმები, მხატვარ მილესის მუზეუმი „მილესგორდენი“ („მილესის ბაღი“), მუზეუმი ღია ცის ქვეშ „სკანსენი“ და სხვ.; სამეფო ბ-კა (მისი მკითხველი იყო ვ. ი. ლენინი), ს-ის უნ-ტის ბ-კა და სხვ.; 25 თეატრი, დრამ. ინ-ტი, შვეციის ცირკის აკადემია და სხვ.

სტოკჰოლმის სისხლიანი აბანო (შვედ. Stockholms blodbad), დანიის მეფის კრისტიან II-ის მიერ შვეციის რეგენტის სტენ სტურე უმცროსის მომხრეთა დახოცვა 1520 წ. 8—9 ნოემბ. სტოკჰოლმში. კრისტიან II შვეციაში შეიჭრა და უნდოდა *კალმარის უნიის* ძალდატანებით აღდგენა. კათოლიკე პრელატების დახმარებით წინასწარ შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე მწვალებლობა დასწამეს, სამეფო ციხე-დარბაზში გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს სტოკჰოლმის 100-ზე მეტი წარჩინებული აზნაური და მოქალაქე; სხვა ოლქებშიც იგივე მოხდა. მათ ქონებას კონფისკაცია უყვეს.

სტოლბოვოს ზავი 1617, „სამუდამო“ საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და შვეციას შორის, დადო სოფ. სტოლბოვოში (ტიხვინის მახლობლად) 27 თებერვალს. ზავის მიხედვით, შვეციამ რუსეთს დაუბრუნა ნოვგოროდი, სტარაია-რუსა, პორხოვი, ლადოგა და გდოვი მაზრებითურთ და სუმერის თემი. შვედებს დარჩათ იჟორის მიწები (ივანგოროდი, იამი, კოპორიე, ორეშეკი) და ქ. კორელა მაზრითურთ. ამრიგად, რუსეთი მოწყვეტილი აღმოჩნდა ბალტიის ზღვას. რუსეთს უნდა გადაეხადა შვედებისათვის 20 ათ. მანეთი. ორივე მხარის ვაჭრებს უფლება მიეცათ თავისუფლად ევაჭრათ მეორე მხარის ტერიტორიაზე, ამასთანავე, შვედ ვაჭრებს ეკრძალებოდათ რუს. გზით წასვლა ირანსა და აღმოსავლეთში, ხოლო რუს ვაჭრებს — შვეციის ტერიტორიით გასვლა დას. ევრ. ქვეყნებში. დაწესდა საზღვრები, რ-იც შენარჩუნებულ იქნა ჩრდილოეთის ომამდე (1700—21).

სტოლეტოვი ალექსანდრე გრიგოლის ძე [29. VII (10. VIII). 1839, ვლადიმირი, — 15 (27). V. 1896, მოსკოვი], რუსი ფიზიკოსი. მოსკ. უნ-ტის დამთავრების (1860) შემდეგ იქვე დატოვეს პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად. 1862—66 სტაჟიორად იყო ბერლინში ჰ. მაგნუსთან, ჰაიდელბერგში—გ. კირხჰოფთან, გეტინგენში — ვ. ვებერთან. 1866-იდან მოსკ. უნ-ტის მასწავლებელია (1873-იდან პროფესორი). მისი ძირითადი გამოკვლევები ეძღვნება ელექტროდისა და მაგნეტიზმის პრობლემებს. შეისწავლა გარეგანი *ფოტოეფექტი*, დიდი წვლილი შეიტანა არათავისთავადი აირული განმუხტვის თეორიაში. 1882 — 94 გამოიკვლია კრიზისული მდგომარეობის განსაზღვრის მეთოდები. ეწეოდა დიდ სამეცნ.-ორგანიზატორულ და პედ. მუშაობას. მოსკ. უნ-ტში ჩამოაყალიბა ფიზ. ლაბორატორია. იყო მოსკ. უნ-ტის ფიზ. ინ-ტის შექმნის ინიციატორი, საზღვარგარეთის მრავალი სამეცნ. საზ-ბის წევრი.

თხზ.: Собр. соч., т. 1—3, М.—Л., 1939—47; Избр. соч., М.—Л., 1950.

სტოლიაროვი ნიკოლოზ გიორგის ძე (დ. 22. V. 1922, ყაზანი), საბჭ. სამხედრო მფრინავი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (1. VII. 1944 და 27. VI. 1945), პოდპოლკოვნიკი (1953). სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა სვერდლოვსკის სამხ. საავიაციო სკოლა (1941). დიდ სამამულო ომში (1941—45) იბრძოდა კალინინის, ვორონეჟის, სტეპის, უკრ. II და I ფრონტებზე. აქვს 180 საბრძოლო გაფრენა. ომის შემდეგ დაამთავრა სამხ.-საჰაერო აკადემია (1954) და მსახურობდა ავიაციაში სამეთაურო თანამდებობებზე. 1956-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

სტოლიპინი პეტრე არკადის ძე [2 (14). IV. 1862, დრეზდენი, გერმანია, — 5 (18). IX. 1911, კიევი], რუსი სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი. 1884-იდან მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1902 გროდნოს გუბ., 1903—06 სარატოვის გუბ. გუბერნატორი იყო. 1906 წ. 26 აპრ-იდან შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. ერთდროულად 8 ივლ-იდან დაინშნა მინისტრთა საბჭოს თავ-რედ. ხელმძღვანელობდა 1905—07 რევ. ჩახშობას, იწონებდა სამხ.-საველე სასამართლოების საქმიანობას და სიკვდილით დასჯას (თოკი, რ-ითაც სიკვდილმისჯილებს ჩამოსახრჩობად ჰკიდებდნენ „სტოლიპინის ჰალსტუხად“ იწოდებოდა). ს-ის მთავრობამ გარეკა II სახელმწ. სათათბირო და 1907 განახორციელა 3 ივნ. სახელმწ. გადატრიალება, წამოაყენა აგრ. რეფორმა (იხ. *სტოლიპინის აგრარული რეფორმა*).

სტოლიპინის აგრარული რეფორმა, დაიწყო 1906 წ. 9 ნოემბ. და შეწყდა 1917 წ. 28 ივნისს (11 ივლ.) დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით. სახელწოდება მომდინარეობს პ. *სტოლიპინის* გვარიდან, რ-იც რეფორმის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო. ს. ა. რ-ის სოც.-ეკონ. შინაარსი განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა „კაპიტალისტურმა განვითარებამ უკვე ისეთი ნაბიჯი გადადგა წინ ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომ მიწათმოქმედებაში ბატონყმობის შენარჩუნება აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 13, გვ. 529—530).

1905—07 რევ. დამარცხებით ცარიზმსა და მემამულეებს საშუალება მიეცათ რეფორმის გზით აღმოეფხვრათ ბატონყმობის ნაშთები გლეხთა სანადელო მიწათმფლობელობაში, ამასთანავე, ისე, რომ მემამულეთა მიწათმფლობელობა შეენარჩუნებინათ. მათი მიზანი იყო გლეხ ბურჟუაზიასთან კავშირის განმტკიცება, ხოლო მთავარი შინაარსი — თემის დანგრევა და გლეხურ მიწათმფლობელობაში კერძო საკუთრების დამკვიდრება. გლეხებს სანადელო მიწების ყიდვა-გაყიდვის ნება დართეს, რამაც დააჩქარა სოფლის ღარიბთა სანადელო მიწებიდან წასვლა და მიწების თავმოყრა კულაკთა ხელში. თემიდან გამოყოფილ გლეხობას მიწა ერთ ადგილას ეძლეოდა, რის შედეგადაც იქმნებოდა ხუტორები და ოტრუბები. თემს ძალდატანებით არღვევდნენ, ამასთან კულაკებს გლეხების საუკეთესო მიწებს აძლევდნენ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საგლეხო ბანკმა. სესხი ძირითადად მიეცათ ცალკეულ მეპატრონეებს, ე. ი. უპირატესად კულაკებს, მ. შ. ხუტორებისა და ოტრუბების მფლობელებს — შეღავათით. საკუთარი მიწის ფონდიდან 3/4 ბანკმა სწორედ მათ მიჰყიდა.

ს. ა. რ. ითვალისწინებდა რუს. ცენტრ. რ-ნებიდან ღარიბი გლეხობის, გადასახლებას განაპირა მხარეებში, განსაკუთრებით — ციმბირში. მთავრობა აქტიურად ერეოდა ამ პროცესში. 1906—16 გადაასახლეს 3 მლნ. გლეხი, უკან დაბრუნდა 18% (548 ათ. სული). 1916 წ. 1 იანვრის თემიდან გავიდა 2478 ათ. გლეხური მეურნეობა და თან გაიტანა 16919 ათ. დეს. მიწა, რაც შეადგენდა სათემო მეურნეობების 26%-ს და სათემო მფლობელობაში არსებული მიწების 15%-ს. რეფორმამ დააჩქარა და გააადვილა სანადელო მიწების სავაჭრო ბრუნვაში მოქცევა, რის შედეგადაც დაჩქარდა და გაიზარდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია. 1079,9 ათ. გლეხმა (თემიდან გამოსულთა 53%) 1908—15 გაყიდა 3776,2 ათასი დეს. მიწა (სანადელო მიწების 22,4%). მიწის გამყიდველთა უმრავლესობა პარტახლებოდა, მათი მიწები კი კულაკთა ხელში იყრიდა თავს. ასე გამართლდა მეფის მთავრობის იმედი ხუტორებისა და ოტრუბების საფუძველზე სოფელში დასაყრდენი ბაზის შექმნისა. 1907—16 სანადელო მიწებზე შეიქმნა 1317 ათ. ასეთი ახ. მეურნეობა, რ-ის მიწის ფონდი 12777 ათ. დესეტინას შეადგენდა. საგლეხო ბანკის მეშვეობით 339 ათ. მეურნეობამ შეისყიდა 4137 ათ. დეს. მიწა, სახაზინო მიწებზე 13 ათ. მეურნეობამ — 224 ათ. დეს., ე. ი. სულ მათი რაოდენობა 1670 ათასს უდრიდა, ხოლო მიწა 17138 ათ. დესეტინას. ხუტორებსა და ოტრუბებში მეურნეობათა მოწყობა დიდ სახსრებს მოითხოვდა და ამიტომ მათი უმრავლესობა ღატაკდებოდა, შეძლებულთა რიცხვი კი მცირე იყო. რეფორმის ჩავარდნის მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ აგრეთვე 1911 შიმშილობა, რ-მაც რუს. ძირითად სამიწათმოქმედო რ-ებში 30 მლნ. კაცი მოიცვა.

ს. ა. რ-მ ქვეყანა ვერ მიიყვანა სოც.-ეკონ. დარგში ძირფესვიან ცვლილებებამდე, ვერ აღმოფხვრა ახ. ბურჟ.-დემოკრ. რევ. მომზადების მიზეზები. პირიქით, რეფორმის გატარების წლებში განვითარდა გლეხთა მასობრივი რევ. მოძრაობა, რ-იც ძირითადად მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. გაძლიერდა სოფლის ღარიბთა ბრძოლა სოფლის ბურჟუაზიის, კულაკების, მ. შ. ხუტორებისა და ოტრუბების მფლობელთა წინააღმდეგ. ამასთანავე, რამდენადაც რეფორმა ხელს უწყობდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, მას პროგრ. მნიშვნელობა ჰქონდა.

ს. ა. რ-ის გატარება საქართველოში, განსხვავებული პირობების მიუხედავად, ძირითადად იმავე მიზანს ისახავდა: დროებით ვალდებულთა ინ-ტის ლიკვიდაცია და ნადელების საკუთრებად დამტკიცება; საგლეხო ბანკის საშუალებით სანადელო მიწების შესყიდვა და კულაკებისადმი დახმარება; რუსეთიდან კოლონიზაციის გაძლიერება. 1912 წ. 20 დეკ. კანონით უქმდებოდა დროებით ვალდებულ გლეხთა ინ-ტი (გლეხთა მიერ მიწების სავალდებულო გამოსყიდვით). სესხის დაფარვის ვადებად დაწესდა 56, 41 ან 28 წელი. მიუხედავად ამისა, დროებით ვალდებულთა ინ-ტი ფაქტობრივად 1917 რევოლუციამდე შემორჩა. საგლეხო ბანკის ამიერკავკ. განყ-ბის ხელში მოქცეული მიწის ფონდიდან დროებით ვალდებულმა გლეხებმა უმნიშვნელო დახმარება მიიღეს. მაგ., ქუთ. გუბერნიაში 1906—14 გლეხებმა სულ ამ გზით შეისყიდეს 2068 დეს. მიწა, აქედან, 62,6% — ამხანაგობებმა, 3,7% — ცალკე ოჯახებმა. ამავე დროს, ბანკის მიერ შესყიდული ათიათასობით დეს. მიწა ძირითადად კოლონიზაციის ფონდში შევიდა. ამგვარად რეფორმამ ამ მხრივაც კრახი განიცადა.

რაც შეეხება კოლონიზაციას, აქ წარმატებით სრულდებოდა ცარიზმის გეგმები. იმ დროს, როდესაც ადგილ. გლეხები უკიდურეს მცირემიწიანობას განიცდიდნენ, მათ ხარჯზე უხვად ხდებოდა კოლონისტებისათვის მიწების გაცემა. მაგ., 1908 საქართველოში საკოლონიზაციო ფონდი შეადგენდა 258 580 დეს. 1908—15 ამ ფონდს შეემატა 285.287 დეს. სულ 1915 წლისათვის 80.786 კოლონისტისათვის გამოყვეს 543.867 დესეტინა მიწა. ვ. ი. ლენინი ამ საკითხის შესახებ წერდა: «გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილმამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება



ა. სტოლეტოვი.



ნ. სტოლიაროვი.

ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის" კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის» (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 18, გვ. 101).

ლიტ.: Ленин В. И., „Крестьянская реформа" и пролетарски-крестьянская революция, Полн. собр. соч., 5 изд., т. 20; Витязев, Переселенческий вопрос, იქვე, ტ. 21; Обзор переселенческого дела на Кавказе за пятилетие 1908—1912гг., СПб., 1913; Сидельников С. М., Аграрная реформа Столыпина, М., 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972.

გ. ბოსტოლაბაშვილი.

სტოლონი (<ლათ. stolo, ნათ. ბრ. stolonis — ფესვის ამონაყარი), მცენარეთა — გვერდითი ყლორტი, რ-საც წვრილი, გრძელი მუხლთშორისები და განუვითარებელი ფოთლები აქვს. ემსახურება ვეგეტატიურ გამრავლებას. ფესურისაგან განსხვავებით, კვდება იმავე წელს ან პირველი გამოზამთრების შემდეგ. ს-ის ბოლოზე ვითარდება ყლორტები (მაგ., მარწყვი), გორგლები (მაგ., კარტოფილი) ან ბოლქვაკები (მაგ., ზოგიერთი ტიტა). ს. არის მიწისზედა (ულვაში) ან მიწისქვეშა. ცხოველთა — მრავალუჯრედიანი კოლონიური ორგანიზმის (მაგ., ნაწლავღრუიანები) გამონაზარდი, რ-იც ემსახურება დაკვირტვით უსქესო გამრავლებას.

სტოლპერი ალექსანდრე ბორისის ძე [30. VII (12. VIII). 1907, დვინსკი, ახლანდ. დაუგავპილსი, — 10. I. 1979, მოსკოვი], საბჭ. რეჟისორი და კინოდრამატურგი. სსრკ სახ. არტისტი (1977). 1923—27 სწავლობდა ლ. კულეშოვის კინოსახელოსნოში, 1938 დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკტი. დადგა ფილმები საბჭ. მწერლების ნაწარმოებთა მიხედვით: კ. სიმონოვის „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან" (1942) და „მელოდე" (1943) — ორივე ბ. ივანოვთან ერთად; „დღეები და ღამეები" (1945) და სხვ., ბ. პოლევოის „თქმულება ნამდვილ ადამიანზე" (1948), ვ. აჟაევის „მოსკოვიდან დაშორებით" (1950). 1965-იდან ასწავლის კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტში. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949, 1951), ძმები ვასილიევების სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია (1966). დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

სტომატიტი (<ბერძნ. stoma, ნათ. ბრ. stomatos — პირი), პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება. ვითარდება როგორც დამოუკიდებელი დაავადება ან რაიმე ზოგადი დაავადების გამოვლინებაა. ს-ის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს დაზიანება (მექან., თერმული, ქიმ., ფიზ.), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოშლა, ჰიპოვიტამინოზი, შაქრიანი დიაბეტი, ნეფრიტი, სხვადასხვა ინფექცია, ინტოქსიკაცია, პარაზიტული სოკოები, სისხლმბადი ორგანოების, ნერვული სისტემის დაავადებანი და სხვ.

კატარული ს. ვითარდება როგორც დამოუკიდებელი დაავადება; იგი შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული. მწვავე იწყება ღრძილების კიდეებიდან, კბილთაშუა დვრილები შესივებულია, ღრძილები — შეწითლებული, შეხებით სისხლმდენი. ს-ის ეს ფორმა ჩვეულებრივ 1—2 კვირაში გამოჯანსაღებით მთავრდება. ქრონ. კატარული ს-ის დროს აღინიშნება ლორწოვანი გარსის სიმშრალე, პირის ღრუს წვა, გემოს შეგრძნების დაქვეითება, ტკივილი ღეჭვისა და ყლაპვის დროს.

აფთოზური ს. ზოგადი დაავადებების შედეგად ვითარდება. მწვავე აფთოზური ს. უმეტესად ბავშვებს უჩნდებათ; ღრძილების, ლოყების, ტუჩების, სასის, ენის ლორწოვან გარსზე წარმოიქმნება აფთები — პატარა, ყვითელი სითხით ამოვსებული, წითელი არშიით შემოვლებული ბუშტულები; დამახასიათებელია ძლიერი ნერწყვის დენა, ყბისქვეშა ლიმფური კვანძების შესივება და ტკივილი, ღეჭვისა და ყლაპვის გაძნელება და სხვ. დაავადება 7 — 10 დღეს გრძელდება. ქრონიკული რეციდივული აფთოზური ს-ის დროს პირის ღრუს ლორწოვან გარსზე პერიოდულად ჩნდება მონაცრისფრო-მოყვითალო ნადებით დაფარული აფთები, რ-ებიც მოგვიანებით ეპითელიუმით იფარება ან წყლულდება.

წყლულოვან ს-ს ახასიათებს სქელი წებოვანი ნერწყვის დიდი რაოდენობით გამოყოფა, ცუდი სუნი პირიდან. პირის ღრუს ლორწოვანი გარსი ზოჯგერ მთლიანად დაფარულია მტკივნეული წყლულებით, ყბისქვეშა ლიმფური კვანძები შესივებულია, ვლინდება ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენები, ცვლილებები სისხლში და სხვ. წყლულოვანი ს. უმეტესად მწვავე ენტეროკოლიტის, კუჭის წყლულოვანი დაავადების, ანგინის, გრიპის და სხვ. დაავადებათა გადატანის შედეგად ვითარდება.

მკურნალობა და პროფილაქტიკა: სხვადასხვა ხსნარის (სოდიანი, ფურაცილინის, ბორის მჟავას, წყალბადის ზეჟანგის, მანგანუმმჟავას, კალიუმის, ლიზოციმის) გამოყენება ან შესხურება; კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მოწესრიგება; ვიტამინებით მდიდარი, ზომიერი ტემპ-რისა და რბილი კონსისტენციის საკვები; თამბაქოს წევისა და ალკოჰოლიანი სასმელების სრული აღკვეთა; პირის ღრუს პერიოდული სანაცია და სხვ.

ლ. ჭელიძე.

ცხოველების ს. ვითარდება მექან., თერმული და ქიმ. ზემოქმედებისას (პირველადი ს.) ან თან ახლავს ზოგიერთ ინფექციურ დაავადებას — თურქულს, სტაქიბოტრიოტოქსიკოზს და სხვ. (მეორეული ს.). დაავადებისას ცხოველი საკვებს არ ჭამს, სდის ნერწყვი, უზიანდება ლორწოვანი გარსი და პირში ცუდი სუნი აქვს. მკურნალობა: პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მოსხურება მადეზინფიცირებელი და მწკლარტე საშუალებებით; მეორეული ს-ის დროს მკურნალობა სპეციფიკურია.

სტომატოლოგია (ბერძნ. stoma, ნათ. ბრ. stomatos — პირი და ...ლოგია), მედიცინის დარგი, რ-იც შეისწავლის კბილების აგებულებას, კბილებს, ენის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ყბების, სახისა და კისრის რბილი ქსოვილების დაავადებათა გამომწვევ მიზეზებს, მკურნალობასა და პროფილაქტიკას; ს-ის ამოცანებში შედის აგრეთვე კბილის დასაბუენი ან. მასალის შემუშავება და კბილების პროთეზირება.

კბილის მკურნალობა, რ-ის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება, მედიცინისაგან დამოუკიდებლად, ხელოსნური წესით ვითარდებოდა. ს-ის, როგორც დამოუკიდებელი მეცნ. ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ფრანგ ქირურგს პ. ფოშარს; მისი ორტომეული ნაშრომი — „კბილების ქირურგიისა და მკურნალობის სახელმძღვანელო", რ-შიც პირველად იყო მოცემული კბილებისა და კბილის ირგლივ ქსოვილების დაავადებათა კლასიფიკაცია, მკურნალობის მეთოდები, კბილის დაბჟენის ტექნიკა და სხვ., საფუძვლად დაედო კბილის მკურნალობის მეცნ. განვითარებას როგორც საფრანგეთში, ისე ევრ. და ამერ. ქვეყნებში.

რუსეთში კბილის მკურნალობის, როგორც სამედ. დარგის, განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ი. ბუშმა, კ. სობოლევმა, პ. ზაბლოცკი-დესიატოვსკიმ, ნ. *სკლიფოსოვსკიმ*, ა. ლიმბერგმა და სხვ. 1885 ნ. სკლიფოსოვსკის თაოსნობით მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრასთან შეიქმნა ოდონტოლოგიის დოცენტურა, 1883 პეტერბურგში, ხოლო 1891 მოსკოვში შეიქმნა დანტისტთა საზ-ბები. 1885 მოსკოვში გამოიცა ჟურნ. „Зубоврачебный вестник".

საბჭ. ს-ის განვითრებაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით პ. დაუგეს, ა. ევდოკიმოვს, ი. ლუკომსკის, ნ. აგაპოვს, ა. რაუერს, ნ. მიხელსონს, ს. ვაისბლატს, ა. ლიმბერგს, დ. ენტინს, ზ. პირიატინსკის და სხვ. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ რსფსრ ჯანდაცვის სახ. კომისარიატთან შეიქმნა კბილის სამკურნ. ქვესექცია, რ-საც სათავეში ჩაუდგა პ. დაუგე. თანამიმდევრობით გაიხსნა სტომატოლ. ფაკტები და ინ-ტები, სპეციალიზებული პოლიკლინიკები და სტაციონარები. ამჟამად სსრკ-ში 24 ათ. სტომატოლოგიური სტაციონარი, პოლიკლინიკა და განყ-ბაა. სტომატოლოგთა რაოდენობამ 110 ათასს გადააჭარბა. სსრკ-ში დიდი ყურადღება ექცევა კბილის კარიესის, პარადონტოზის, პლასტ. ქირურგ. პრობლემებს. ს-ის პრობლემები და მიღწევები შუქდება ჟურნ. „Стоматология" (მოსკოვი, 1937-იდან), აგრეთვე სამედ. ლიტ-რასა და სპეც. კრებულებში. საბჭ. ს-ის ძირითადი მიმართულებაა პროფილაქტ. გასინჯვის სისტემა და პირის ღრუს გეგმიური სანაცია, რაც დისპანსერული მეთვალყურეობის პრინციპზეა აგებული.

საქართველოში კბილებისა და ღრძილების დაავადებანი და მათი მკურნალობის წესები ჯერ კიდევ XI, XIII, XV სს. ქართ. სამედ. წერილობით ძეგლებშია აღწერილი. XIX ს. ბოლოს საქართველოში მუშაობა დაიწყეს პირველმა ქართვ. დანტისტებმა. XX ს. დასაწყისში მათი რაოდენობა 40-მდე კაცით განისაზღვრებოდა. 1900 შეიქმნა საქართვ. დანტისტთა საზ-ბა. 1923 გ. მუხაძის თაოსნობით უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტზე სასწ. პროგრამაში შეტანილი იყო ოდონტოლოგიის კურსი და დაარსდა დოცენტურა. 1925 თბილისში ჩატარდა ამიერკავკ. ოდონტოლოგთა ყრილობა. 1928 თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტზე შეიქმნა ოდონტოლოგიის კათედრა, 1935 დაარსდა ს-ის ინ-ტი, რ-იც 1948 სამედ. ინ-ტს შეუერთდა ს-ის ფაკ-ტის სახით. ამჟამად რესპუბლიკაში არის 40 ს-ის პოლიკლინიკა, 800-მდე განყ-ბა და კაბინეტი, სადაც 1750 ექიმ-სტომატოლოგი მუშაობს. სტაციონარული მუშაობისათვის გაშლილია 120 საწოლი. კადრების მომზადებას ემსახურება 6 კათედრა (3 თბილ. სამედ. ინ-ტში და 3 ექიმთა დახელოვნების ინ-ტში). რესპუბლიკაში 14 საქალაქო და 1 რესპ. სტომატოლოგიურ სამეცნ. საზ-ბაა.

საქართველოში ს-ის განვითრებაში დიდი წვლილი მიუძღვით: ა. *ედიბერიძეს*, ა. ურუშაძეს, ა. ზუმბულიძეს, ი. გაგუას, ნ. ჩხეიძეს, ა. მენაბდეს და სხვ.

ლიტ.: ედიბერიძე ა., ქირურგიული სტომატოლოგია, თბ., 1966; Боровский Е. В., Грошиков М. И., Патрикеев В. К., Терапевтическая стоматология, 2 изд., М., 1973.

ნ. ბაძოშვილი.

სტოპანი ალექსანდრე მიტროფანეს ძე [9 (21). X. 1871, სოფ. უსოლიე, ირკუტსკის ოლქი, — 23. X. 1932, მოსკოვი], საბჭოთა, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1893-იდან. იყო ს.-დ. წრეების წევრი, გაზ. „ისკრის" დაარსების ერთ-ერთი მონაწილე, შემდეგ „ისკრის" აგენტი; 1902—03 რსდმპ II ყრილობის მომწვევი ორგკომიტეტის წევრი, ყრილობის დელეგატი. 1903—04 მონაწილეობდა რსდმპ ჩრდილოეთის კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის დაარსებაში. 1905—07 რევ. დროს რსდმპ კოსტრომის კომიტეტის მდივანი. რსდმპ V ყრილობის (1907) დელეგატი. 1908 მუშაობდა ბაქოში ნავთის სარეწების მუშათა კავშირში, გაზ. „*გუდოკის*" რედაქციის მდივნად, იყო რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრი. არაერთხელ იყო პატიმრობაში. 1917 ოქტ. დღეებში მუშაობდა სმოლნოში, სასურსათო კომისიაში. რევ. შემდეგ სხვა-

დასხვა პასუხსაგებ პარტ., სამეურნეო და სამხ. თანამდებობაზე იყო.

სტორი, მდინარე კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 2950 *მ*-ზე. სიგრძე 38 *კმ*, აუზის ფართ. 281 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა — ზამთარში, წყალმოვარდნები — შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 9,55 $მ^3/წმ$. *ი. აფხაზავა.*

სტორნო (იტალ. storno — ანგარიშის გადარიცხვა), ბუღალტრული ანგარიშის გატარება, რ-იც როგორც წესი, გათვალისწინებულია შეცდომით წარმოებული ჩანაწერის გასასწორებლად. ჩვეულებრივ იყენებენ ე. წ. უარყოფით ს-ს, რ-ის დროს დამატებით გატარებისას უარყოფითი ნიშნით ჩაიწერება არასწორად აღნიშნული თანხის მოცულობა. უარყოფითი ნიშანი ჩვეულებრივ იწერება წითელი მელნით, ამიტომ უარყოფით ს-ს „წითელსაც" უწოდებენ. როცა შეცდომით ჩანაწერი კი არ ისპობა, არამედ იცვლება, მაშინ იყენებენ ნაწილობრივ უარყოფით ს-ს.

სტორტინგი (storting), ნორვეგიის პარლამენტის სახელწოდება. იხ. *ნორვეგია*, სახელმწიფო წესწყობილება.

სტოუკ-ონ-ტრენტი (Stoke on Trent), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, სტეფორდშირის საგრაფოში, მდ. ტრენტის ნაპირზე. 252 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. სამდ. ნავსადგური. ქვეყნის ფაიფურ-ქაშანურისა და კერამ. წარმოების უდიდესი ცენტრი. ქვანახშირის მოპოვება, მანქანათაშ. მრეწვ., სალტეების წარმოება, შავი მეტალურგია. ქალაქის მახლობლად არის უნ-ტი.

სტოუნი (Stone) ირვინგ (დ. 14. VII. 1903, სან-ფრანცისკო), ამერიკელი მწერალი. წერდა პიესებს, დეტექტიურ ნოველებს. სახელი გაითქვა მხატვრული ბიოგრ. რომანებით. პირველი წარმატება მოუტანა რომანმა „წყურვილი სიცოცხლისა" (1934), რ-იც ვან გოგის ცხოვრებას ასახავს; ასევე აღსანიშნავია ს-ის რომანიზებული ბიოგრაფიები ჯ. ლონდონისა („მეზღვაური უნაგირზე", 1938), სოციალ. ლიდერის ი. დებზისა („თავისიანთა გამცემი", 1947), ჯ. ნობელისა („მგზნებარე სრბოლა", 1949), მიქელანჯელოსი („აგონია და ექსტაზი", 1961), ზ. ფროიდისა („გონების ენებანი", 1971), ჰ. შლიმანისა („ბერძნული საგანძური", 1975). ამ თხზულებებისათვის დამახასიათებელია დოკუმენტური მასალის ზედმიწევნით ცოდნა, ეპოქის ანალიზის სიღრმე და გმირის ხასიათის საინტერესო გახსნა. 1962 ს-მა იმოგზაურა სსრკ-ში, იყო საქართველოშიც.

თხზ.: მეზღვაური უნაგირზე, თბ., 1965; წყურვილი სიცოცხლისა, თბ., 1974.

მ. ანთაძე.

სტოუნჰენჯი (Stonehenge), მეგალითური ნაგებობა დიდ ბრიტანეთში, ქ. სოლზბერისთან. გამოვლენილია 3 სამშენებლო ფენა. I თარიღდება ძვ. წ. 1900—1700 და წარმოადგენს 97,5 *მ* დიამ. მქონე ქვაყრილს, რ-ის შიგნით ორმოებია (ნაწილი კრემაციული); II — ძვ. წ. 1700—1550 — შედგება ძვ. მიწაყრილის შიგნით ვერტიკალურად განლაგებული ქვის (38 წყვილი) 2 კონცენტრირებული წრისაგან; III თარიღდება ძვ. წ. 1500—1400. მიწაში ვერტიკალურად ჩასობილი თლილი ქვები (სიმაღლე დაახლ. 8,5 *მ*, მასა — 28 ტ), რ-ებსაც თავზე ქვის ფილები ადევს, ქმნიან წრეს, რ-ის დიამეტრია 30 *მ*, წრეში 5 ტრილიტია (ზემოდან ფილაგადაფარებული 2 ქვა), რ-ებიც, თავის მხრივ, საკურთხეველის ქვის გარშემოა განლაგებული. ს. უძველესი ტაძარია, რ-იც ალბათ მზის კულტს უკავშირდება. ზოგი მეცნიერი (მაგ., ჯ. ჰოკინზი) მიიჩნევს, რომ ს. ასტრონ. ობსერვატორიასაც წარმოადგენდა.

ლიტ.: Хокинс Дж., Уайт Дж., Разгадка тайны Стоунхенджа, пер. с англ., М., 1973; Atkinson R. J., Stonehenge, [Harmondsworth, 1960].

სტოქსი (Stokes) ჯორჯ გებრიელ (13. VIII. 1819, სკრინი, სლაიგოს საგრაფო, ირლანდია, — 1. II. 1903, კემბრიჯი), ინგლისელი ფიზიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1851), 1854—85 მისი მდივანი, 1885—1890 პრეზიდენტი. 1841 დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი. იქვე დაიწყო მასწავლებლობა და 1849 სათავეში ჩაუდგა კათედრას, რ-იც თავის დროზე ი. *ნიუტონს* ეკავა. იყო პარლამენტის წევრი უნ-ტიდან (1887—92). 1889 მეცნ. შრომებისათვის მიიღო ბარონეტის ტიტული. მისი მრავალი შრომა ეხება ტალღურ პროცესებს: 1842—51 სწავლობდა უკუმშველი სითხის (ხახუნის გათვალისწინებით) სტაციონარულ მოძრაობასა და მყარი ბურთულას მოძრაობას ბლანტ სითხეში. ამ შრომებს ჰიდროდინამიკაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს (იხ. *ნავიე—სტოქსის განტოლებები, სტოქსის კანონი*). 1852 აღწერა ფლუორესცენცია, დაადგინა მისი სპექტრის დამოკიდებულება ამგზნები სინათლის სპექტრზე (*სტოქსის წესი*) და წამოაყენა ლუმინესცენციის მეშვეობით სპექტრის ულტრაიისფერი უბნის შესწავლის მეთოდი. ცნობილია აგრეთვე ს-ის შრომები აკუსტიკის, კრისტალების თბოგამტარობის, გრავიტაციისა და სხვ. საკითხებზე. მათ. დარგში მისი გამოკვლევები ეხება *ვექტორულ ანალიზს* (*სტოქსის ფორმულა*), მწკრივებისა და განსაზღვრული ინტეგრალების თეორიას და სხვ. ს-ის სახელი ეწოდა კინემატიკური სიბლანტის ერთეულს. იყო მრავალი უცხოური აკად., მ. შ. პეტერბ. სამხ.-სამედ. აკად. წევრი.

თხზ.: Mathematical and physical papers, v. 1—5, Camb., 1880—1905.

სტოქსი, კინემატიკური სიბლანტის ერთეული; შედის ერთეულთა CGS სისტემაში. ს. ტოლია ისეთი კინემატიკური სიბლანტისა, რ-ის დროსაც გარემოს დინამ. სიბლანტე 1 $გ/სმ^3$ სიმკვრივისას ტოლია 1 *პუაზი*). ეს სახელი უწოდეს ჯ. *სტოქსის* პატივსაცემად. ქართ. აღნიშვნაა *სტ*, საერთაშ. — St. 1 $სტ=1\ სმ^2/წმ=10^{-4}\ მ^2/წმ$. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ 100-ჯერ მცირე ერთეულს — სანტისტოქსს (*სსტ*, cSt).

სტოქსის კანონი, იმ წინააღმდეგობის F ძალის განმსაზღვრელი კანონი, რ-საც მყარი სფერო განიცდის ნელი წინსვლითი მოძრაობისას შემოუსაზღვრელ ბლანტ სითხეში: $F=6\pi\eta rv$, სადაც η არის სითხის დინამ. სიბლანტის კოეფიციენტი, r — სფეროს რადიუსი, v — მისი სიჩქარე. ეს ფორმულა გამოიყვანა ჯ. *სტოქსმა* 1851 ს. ჯ. მართებულია მხოლოდ მცირე *რეინოლდსის რიცხვისათვის* $Re \ll 1$. ამ ფორმულით სარგებლობენ კოლოიდურ ქიმიაში, მოლეკულურ ფიზიკასა და მეტეოროლოგიაში. ს. კ-ის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ნისლის მცირე წვეთების, აგრეთვე კოლოიდური, ლამისა და სხვა მცირე ნაწილაკების დალექვის სიჩქარე. მცირე ზომის სფეროს ბლანტ სითხეში ვარდნის ზღვრულ $v_{ზღვრ}$ სიჩქარეს განსაზღვრავენ ფორმულით: $v_{ზღვრ}=2r^2g(\rho-\rho')/9\eta$, სადაც ρ და ρ' არის სფეროს ნივთიერებისა და სითხის სიმკვრივე, g — თავისუფალი ვარდნის აჩქარება. ს. კ-ს იყენებენ *ვისკოზიმეტრიაში* ძალიან ბლანტი სითხეების სიბლანტის კოეფიციენტის განსასაზღვრავად.

სტოქსის ფორმულა, შეკრული L კონტურის გასწვრივ აღებული წირითი ინტეგრალის L წირით შემოსაზღვრული S ზედაპირის მიმართ აღებულ ზედაპირულ ინტეგრალში გარდაქმნის ფორმულა. ს. ფ-ს აქვს შემდეგი სახე:

$$\int_L Pdx+Qdy+Rdz=\iint_S\left(\frac{\partial Q}{\partial x}-\frac{\partial P}{\partial y}\right)dxdy+\left(\frac{\partial R}{\partial y}-\frac{\partial Q}{\partial z}\right)dydz+\left(\frac{\partial P}{\partial z}-\frac{\partial R}{\partial x}\right)dz\,dx.$$

ამასთან კონტურის შემოვლის მიმართულება უნდა იყოს შეთანხმებული S ზედაპირის ორიენტაციასთან. ს. ფ. ვექტორული ფორმით შემდეგნაირად გამოისახება: $\int_L a\,dr=\iint_S n\,\mathrm{rot}\,a\,dS$,

სადაც $a=Pi+Qj+Rk$, dr L კონტურის ელემენტია, dS — S ზედაპირის ელემენტი, n — ამ ზედაპირის მიმართ გაველებული გარე ნორმალის ერთეული ვექტორი. ს. ფ. დაადგინა ჯ. *სტოქსმა* 1854.

სტოქსის წესი, სტოქსის კანონი, წესი, რ-იც ამტკიცებს, რომ *ფოტოლუმინესცენციის* ტალღის სიგრძე მეტია ამგზნები სინათლის ტალღის სიგრძეზე. დაადგინა ჯ. *სტოქსმა* 1852. ს. ფ. ყოველთვის არ სრულდება. ბევრჯერ ფოტოლუმინესცენციის სპექტრებში შეიმჩნევა ანტისტოქსური ზოლები, რ-თა ტალღის სიგრძეები მოკლეა ამგზნებზე. გამოყენების უფრო ფართო არე აქვს გერმ. ფიზიკოსის ე. ლომელის მიერ ფორმულირებულ ს. ფ-ს: *ლუმინესცენციის* სპექტრის მაქსიმუმი გადაწეულია შთანთქმის სპექტრის მაქსიმუმის მიმართ უფრო გრძელი ტალღების მხარეს. ს. ფ-ის თანახმად, ლუმინესცენციის ფოტონების ენერგია ნაკლებია ამგზნები სინათლის ფოტონების ენერგიაზე.

სტოკტონი (Stockton), ქალაქი აშშ-ის დას. ნაწილში, კალიფორნიის შტატში. 150 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 347 ათ. (1980). სარკინიგზო კვანძი. ნავსადგური მდ. სან-ხოაკინის აუზში. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება, სას.-სამ. მანქანათშ., ხის დამუშავება.


სტოკტონ-ონ-ტიზი (Stockton-on-Tees), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, კლივლენდის საგრაფოში, მდ. ტიზის ნაპირზე, შესართავის (ჩრდილოეთის ზღვა) მახლობლად. 155 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი, საზღვ. ნავსადგური. შავი მეტალურგია, სამრეწვ. მოწყობილობის წარმოება, ლოკომოტივთმშენებლობა.

სტრაბიზმი (ბერძნ. strabismos<strabos — ირიბი, ელამი) იგივეა, რაც *ელმწ*.

სტრაბონი (Strabōn) (დაახლ. ძვ. წ. 64/63 — ახ. წ. 23/24), ძვ. ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, წარმოშობით პონტოელი ბერძენი ქ. ამისოსიდან, წარჩინებული წრიდან. თავის დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიუღია. ბევრი უმოგზაურია, ფიქრობენ, რომ კოლხეთშიც ყოფილა. მისი სახელით ცნობილია ორი ნაწარმოები „საისტორიო ნარკვევები" და „გეოგრაფია". პირველი ნაშრომი 47 წიგნისაგან შედგებოდა და წარმოადგენდა პოლიბიოსის „ისტორიის" გაგრძელებას. მისგან მხოლოდ 19 ფრაგმენტია მოღწეული, მეორე ნაშრომი თითქმის მთლიანადაა დაცული, იგი შედგება 17 წიგნისაგან. ს-ის „გეოგრაფია" ანტ. მწერლობის ამ დარგის უმნიშვნელოვანესი და, სიზუსტის თვალსაზრისით, ძირითადად სანდო ძეგლია. ეს ნაშრომი საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ცნობები საქართველოს შესახებ ძირითადად თავმოყრილია XI წიგნში. აღსანიშნავია, რომ სრულიად უეჭველი ხსენება და დაწვრილებითი აღწერა იბერიისა ბერძნ. მწერლობაში პირველად ს-თან გვხვდება. დაწვრილებით აღწერს ქ-ებითა და დაბებით კარგად დასახლ. ქვეყანას (იბერიის ქალაქთაგან იხსენიებს მხოლოდ წიწამურს და არმაზციხეს), აღნიშნავს ოთხ დიდ მაგისტრალს (კოლ-



სტოუნჰენჯი. ტრილიტები სტოუნჰენჯიდან.



ჯ. გ. სტოქსი.



ი. სტრავინსკი.

ხეთიდან, არაგვის ხეობიდან, ალბანეთიდან, არმენიიდან — XI, 3, 4—5). მოსახლეობაშიც 4 ძირითად ფენას შენიშნავს: მეფეთა, ქურუმთა, მიწისმოქმედ-მოლაშქრეთა (ჩვენი აზრით, თავისუფალ მწარმოებელთა) და ხალხისა ანუ სამეფო მონებისა (ჩვენი აზრით, მდაბიო ხალხისა, ანუ გლეხთა XI, 3, 6), მიღებულია აზრი, რომლის მიხედვითაც, ს-ის აღწერაში მოცემულია ელინისტური ხანის იბერიის ბარში არსებული ადრინდ. კლასობრივი საზოგადოების დახასიათება. საინტერესო ცნობები აქვს ს-ს კოლხეთის ისტორიისათვის, რ-საც იწყებს მითოლ. ხანით და მოჰყავს თავის დრომდე. ს-ის ცნობით, ელინისტური ხანის კოლხეთი ცალკეულ სკეპტუქიებად ყოფილა დაყოფილი. ახასიათებს ქ-ებს: პიტიუნტს, დიოსკურიას, ფასისს, შორაპანს, ტრაპეზუნტს. მნიშვნელოვანი ცნობები აქვს სვანების შესახებ (XI, 2. 14, 19). ალბანეთის ისტორიისათვის ს-ის „გეოგრაფია" ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. დაწვრილებით აღწერს შავი ზღვის ჩრდ.-აღმ. სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს (პენიოხები, აქაიები, კერკეტები). ს. პირველი ავტორია, რ-იც ახსენებს ჯიქებს შავი ზღვის ამ სანაპიროზე (XI, 2, 14 და სხვ.), მანამდე ისინი სარმატიის ველებზე იმყოფებოდნენ. ს. საქართვ. სამხრ.-დას. ტერიტორიაზე იხსენიებს ტომთა მთელ ჯგუფს: სისპირიტებს, ტიბარენებს, ხალდებს (ხალიბებს), სანებს (მაკრონებს), მოსინიკებს, ჰეპტაკომეტებს, ბიძერებს (XI—XII წიგნები), მოსხებს. ს-ის „გეოგრაფია" არის ერთ-ერთი წყარო იმ დიდი სავაჭრო გზის გასათვალისწინებლად, რ-ითაც ინდური საქონელი შავ ზღვამდე აღწევდა (II, 1, 15).



ბ. სტრაჟესკო.

თხზ : The geography of Strabo. With an English translation, by H. L. Jones, v. 1—8, L., 1917—32; География, пер. В. Г. Мищенко, М., 1879; География, пер. и предисл. Г. А. Стратановского, Л., 1964; ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის „გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ", თბ., 1957.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ო., სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1957, ტ. 18, №3; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

თ. ყაუხჩიშვილი.

სტრადივარიუსები (Stradivari, Stradivarius), ვიოლინოს იტალიელ ოსტატთა გვარი. ანტონიო (დაახლ. 1643 ან 1648, 1649, კრემონა, — 18. XII. 1737, იქვე), ნ. *ამატის* მოწაფე. დაახლ. 1667 კრემონაში გახსნა საკუთარი სახელოსნო. 1704 შექმნა ვიოლინოს უფრო სრულყოფილი მოდელი, 1704—25 შექმნა ნათელი, მსუქი ტემბრისა და მაღალი საკონცერტო ღირსებების მქონე ვიოლინოები. ს-ის მიერ დამზადებული ვიოლინოები გამოირჩევა მაღალი მხატვრული გაფორმებით, სინატიფით, ჰარმონიული ფორმით, საგანგებოდ შერჩეული ხის მასალით. ამზადებდა აგრეთვე ჩელოებსა და ალტებს. მის მიერ დამზადებული რამდენიმე საკრავი ინახება მოსკოვში და მასზე უკრავენ გამოჩენილი შემსრულებლები საკონცერტო გამოსვლებისას. ანტონიოს მოწაფეები იყვნენ მისი შვილები — ფრანჩესკო (1671—1743) და ომობონო (1679—1742).

სტრავინსკი იგორ თეოდორეს ძე [5 (17). VI. 1882, ორანიენბაუმი, ახლანდ. ქ. ლომონოსოვი, — 6. IV. 1971, ნიუ-იორკი; დასაფლავებულია ვენეციაში], რუსი კომპოზიტორი და დირიჟორი. მამამისი ცნობილი მომღერალი იყო. ს. 9 წლისა უკრავდა ფორტეპიანოზე, 18 წლიდან დამოუკიდებლად დაიწყო კომპოზიციის თეორიის შესწავლა, პარალელურად 1900—05 სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. 1902-იდან მეცადინეობდა ნ. რიმსკი-კორსაკოვთან, რ-საც შემდგომში თავის სულიერ მამას უწოდებდა. ს-ს პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია „ფანტატისკური სკერცო" და ფანტაზია ორკესტრისათვის „ფოიერვერკი" (1908). აღსანიშნავია ს-ს შემოქმედებითი თანამშრომლობა ს. დიაგილევთან (პარიზში რუს. ბალეტის სეზონების ორგანიზატორი). სწორედ დიაგილევის დასის მიერ პარიზში წარმოდგენილმა ბალეტებმა მოუპოვეს ს-ს მსოფლიო აღიარება. ეს ბალეტებია: „ფასკუნჯი" (1910), „პეტრუშკა" (1911), „საღვთო გაზაფხული" (1913). 1910-იდან ხან პარიზში ცხოვრობდა, ხან შვეიცარიაში და ხანაც რუსეთში, 1914-იდან დამკვიდრდა შვეიცარიაში. 1920-იდან კვლავ საფრანგეთში იყო, ხოლო 1939-იდან — აშშ-ში (1945 მიიღო ამერ. მოქალაქეობა). ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, განსაკუთრებით 1939—45 წლებში. 1962 საავტორო კონცერტები გამართა სსრკ-ში.

ს-ს შემოქმედებითი გზის დასაწყისი აღინიშნა ნ. რიმსკი-კორსაკოვის, მ. მუსორგსკის, პ. ჩაიკოვსკის ერთგვარი გავლენით. ხანმოკლე, მაგრამ უფრო ძლიერი იყო კ. დებიუსის გავლენა. ს-ს შემოქმედების ე. წ. რუს. პერიოდს განსაზღვრავდა ეროვნ. ფოლკლორი. ამ პერიოდის ნაწარმოებთაგან, გარდა ზემოთდასახელებული 3 ცნობილი ბალეტისა, აღსანიშნავია ქორეოგრაფიული კანტატა „ქორწილი" (1914—23, „რუსული ქორეოგრაფიული სცენები სიმღერითა და მუსიკით პ. კირეევსკის მიერ შეკრებილ ტექსტებზე"). პარალელურად ს-ს შემოქმედებაში აისახა თანამედროვე ქალაქური ყოფითი მუსიკა. არქაული და ყოფითი პლასტები შეერწყა ერთმანეთს საბალეტო პანტომიმაში „ამბავი ჯარისკაცისა — ზღაპარი ლტოლვილ ჯარისკაცსა და ეშმაკზე" (1918), მასთან ახლოს დგას „იგავი მელაზე"... (1916). 1950-იან წლებამდე ს-ს შემოქმედება დაკავშირებული იყო ნეოკლასიციზმთან (ბალეტი სიმღერით „პულჩინელა" ჯ. პერგოლეზის თემებზე, 1920; კონცერტი ფორტეპიანოსა და სასულე საკრავებისათვის, ოქტეტი სასულე საკრავებისათვის). შემდგომში ს-ს შემოქმედებაში რუს. თემატიკამ თანდათან დაუთმო ადგილი ანტ. მითოლოგიას, ბიბლ. ტექსტებს, ვოკალურმა მუსიკამ—საკრავიერს. ამ პერიოდში კომპოზიტორი იყენებდა *ბაროკოს* პერიოდის ევრ. მუსიკის ხერხებს, ძველებურ კონტრაპუნქტულ ტექნიკას, იტალ. *ბელკანტოს* მელოდიკას. სხვადასხვა სტილისტური ფენა კარგად შეერწყა კომპოზიტორის მკაფიო მხატვრულ ინდივიდუალობას. 30-იანი წწ. მეორე ნახევარში კომპოზიტორის შემოქმედებამ კრიზისი განიცადა. 20—50-იანი წწ. დასაწყ. საუკეთესო ნაწარმოებებია: ოპერა-ორატორია „ოიდიპოს მეფე" (1927), ბალეტი-ალეგორია „ფერიის კოცნა" (1928, გამოყენებულია ჩაიკოვსკის მუსიკა), „ფსალმუნების სიმფონია" (1930), კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1931), კონცერტი 2 სოლო ფორტეპიანოსათვის (1935), 2 სიმფონია (1940, 1943), ბალეტი „ორფეოსი" (1948), ოპერა „ქარაფშუტას თავგადასავალი" (1951). 40—50-იან წლებში ს. მიმართავდა დოდეკაფონიას, თუმცა ამ მეთოდს იგი საკუთარი ტონალური აზროვნების შესაბამისად იყენებდა. ბოლო პერიოდში თანდათან დავიწროვდა ს-ის შემოქმედებითი თემატიკა (სჭარბობდა სას. სახეები და სიუჟეტები). მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: კანტატა „საღვთო საგალობლები" (1956), ბალეტი „აგონი" („შეჯიბრი", 1957), „სულის მოსახსენიებელი საგალობლები" (1966) და სხვ. უკანასკნელად ს-მ ჰ. ვოლფის 2 სიმღერა გადაიტანა კამერული ორკესტრისათვის (1967). ს. ლიტ. შრომების ავტორიცაა; მ. შ. აღსანიშნავია „ჩემი მუსიკალური ცხოვრების ქრონიკა" (1963), „დიალოგები" (1971).

ლიტ.: Друскин М. С., И. Стравинский. Личность. Творчество. Взгляды, Л.—М., 1974; Игорь Глебов [Асафьев Б. В.], Книга о Стравинском, Л 1977; Ярустовский Б. М., І Стравинский, 2 изд., М., 1969.

სტრანიცკი (Stranitzky) იოზეფ ანტ (10. IX. 1676, კნიტელფელდი, (?) შტ რია, — 19. V. 1726, ვენა), ავსტრიელ დრამატურგი და მსახიობი. საფუძველ ჩაუყარა ავსტრ. პროფესიულ თეატრ ხელმძღვანელობდა მოხეტიალე თეატ დასებს. 1712 ჩამოაყალიბა პირველ ავსტრ. მუდმივი თეატრი. წერდა კომ დიებს (სცენარებს), რ-თაგან შემორჩ ნილია დაახლ. 14. არა ერთი დრამა შე მნა ანტ., ისტ. და მითოლ. თემებზე

სტრაჟესკო ნიკოლოზ დიმიტრის [17 (29). XII. 1875, ოდესა, — 27. V. 1952, კიევი], საბჭ. თერაპევტი. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943), სსრ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944 სოციალ. შრომის გმირი (1947). 18 დაამთავრა კიევის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტ მუშაობდა ვ. *ობრაზცოვის* კლინიკაში, *პაველოვის* ლაბორატორიაში. იყო კიევ ქალთა სამედ. კურსებისა (1907-იდან) ნოვოროსიის (ოდესის) უნ-ტის (191 იდან) პროფესორი. მის მიერვე ორგან ზებული უკრ. კლინიკური მედ. ინ-ტ დირექტორი (1936—41 და 1943-იდა 1955 ინ-ტს ს-ს სახელი მიენიჭა). ს. შ ისწავლიდა სტენოკარდიის, მიოკარდ ინფარქტის, გულის უკმარისობის, რევმ ტიზმის, სეფსისის, საჭმლის მომწელებელ ორგანოების პათოლ. საკითხებს. ს-მ ობრაზცოვთან ერთად 1909 (ამერ. ექ ჯ. ჰერიკზე 2 წლით ადრე) აღწერა გ ლის ვენური არტერიების თრომბოზ კლინიკური ნიშნები. მანვე დაასაბუთ რევმატიზმის სტრეპტოკოკული ეტიოლო გია (1934). ს. ავტორია კლასიკური ნა რომისა „მუკლის ღრუს დაავადებათა დი გნოსტიკის ფიზიკური საფუძვლები" (1924) ს. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Избр. труды, т. 1—2, К., 1955-56.

სტრასბურგერი (Strasburger) ედვარ (1. II. 1844, ვარშავა, — 19. V. 191 ბონი), გერმანელი ბოტანიკოსი, წარ მოშობით პოლონელი. პოლ. (კრაკოვი მეცნ. აკად. წევრი (1888). იენის (1869-80) და ბონის (1880—1911) უნ-ტებ პროფესორი. მისი ძირითადი შრომებ ეხება მცენარეთა ანატომიას, ციტოლოგი ასა და ემბრიოლოგიას. იკვლევდა *მც ტოზს*. აღწერა *მეიოზი* უმაღლეს მცენ რეებში, ახსნა ქრომოსომათა რაოდენობ რედუქციის ბიოლ. მნიშვნელობა. შეი წავლა განაყოფიერების პროცესი, *პა თენოგენეზი* და აპოგამია. ს-ის შრომებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მემკვიდრ ლობის ქრომოსომული ბუნების ახსნისა ვის.

სტრასბურგი, საფრანგეთის ქალა *სტრასბურის* ძვ. სახელწოდება.

სტრასბური (Strasbourg), სტრა ბურგი (Straßburg), ქალაქი აღმ. საფ რანგეთში, მდ. ილის ნაპირას (იქ, სადა ილი უერთდება რაინს) და რაინ—რონის და რაინ—მარნის არხებზე. ელზასის ისტ დედაქალაქი, ქვემო რაინის დეპარტ. ად ცენტრი. 253 ათ. მცხ., გარეუბნებიანა 395 ათ. (1975).

ი. სტრავინსკი.

ბ. სტრაჟესკო.

აღმოცენდა კელტური ნამოსახლარი ადგილას, რ-იც ძვ. წ. I ს-ში დაიპყრე რომაელებმა. იმპ. ავგუსტუსმა (ძვ. წ. 27 ახ. წ. 14) აქ რომაელთა გამაგრებული ბან აკი არგენტორატუმი (Argentoratum) და არსა. „ს." (Strateburgum) ეწოდა VI ს-ში 925-იდან ეკუთვნოდა გერმ. სამეფოს. 1262 იდან იმპერიის ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდ *ი. გუტენბერგი*. XV—XVI სს-ში ჰუმანიზ მის ერთ-ერთი მთავარი კერაა, XVI ს-შ — რეფორმაციის მნიშვნელოვანი ცენტრ 1681 საფრ. შემადგენლობაში შევიდა ს-ის მოსახლ. აქტიურად მონაწილეობდ საფრ. დიდ რევოლუციაში. 1871—191

ურმანიას ეკუთვნოდა. 1919 დაუბრუნდა ფრანგეთს. 1940—44 ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. გაათავისუფლეს 1944.

ს. დიდი სამრეწვ., სავაჭრო, კულტ. ცენტრი და სატრანსპ. კვანძია. მნიშვნელობით საფრ. II სამდ. ნავსადგური. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი; აეროპორტი. ავტომშენებლობა, ელექტროტექნიკა, ჩარხთმშენებლობა, სარკინიგზო საწყობილობის წარმოება, სამდ. გემთმშენებლობა, კეების მრეწვ., არის აგრეთვე ბამბეულის, სამკერვალო, ხე-ტყის გადასამუშ., ტყავის ნაკეთობათა საწარმოები. გარეუბნებში — ნავთობგადასამუშ., ნავთობქიმ. და რეზინის ქ-ნები. არის უნივ., კონსერვატორია.

ხუროთმოძღვრული ძეგლები: ტაძარი XI—XVI სს., რ-ის ქანდაკებებით უხვად ორთული დას. ფასადი (დაწყებულია დაახლ. 1277) გვიანდ. გოტიკური არქიტ. შეკერია], გოტიკური ეკლესიები — სენ-ტომი XIII—XIV სს.) და სხვ.; ბაროკოს სტილის ეპისკოპოსის სასახლე (1722—28, არქიტ. ა. ლაგარდელი), რატუშა (1730), ოანების სასახლე (1732—42, არქიტ. მასოლი, რ. დე კოტის გეგმით; ახლა ატიფი ხელოვნ., არქეოლ. და დეკორ. ელოვნ. მუზეუმი); XIV—XVII სს. საბოვრ. სახლები. XX ს-ში აშენდა ევროპის საბჭოს შენობა (1950—55, არქიტ. ბ. ონე), ადამიანის უფლებათა ევრ. საბჭო 1966, არქიტ. ბ. მონე და ჟ. აპრილი) ა სხვა ნაგებობანი.

ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ (<ლათ. stratum — ნაფენი, ფენა), აირული ელექტრული განმუხტვის ადებით სვეტში ნათელი შრეები პერიოდულად მონაცვლე ბნელი შუალედებითურთ. ოგჯერ ს. უძრავია, ზოგჯერ კი გადაადილდება (მსრბოლი ს.) ანოდიდან კაოდისაკენ (იხ. ნახ.).


ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ ს ა მ ხ ე დ რ ო, *სამხედრო ულოვნების* შემადგენელი ნაწილი, მისი მაღლესი დარგი. მოიცავს შეიარაღებული ალების ომისათვის მომზადების თეორ. ა პრაქტ. საკითხებს, ომის დაგეგმვასა ა წარმართვას. ს. მჭიდრო კავშირშია ახელმწიფოს პოლიტიკასთან და შეესაამება სამხ. დოქტრინის მოთხოვნილებებს. ურჟ. ს. ემსახურება იმპერიალიზმის ლასობრივ ინტერესებს, უზრუნველყოფს აპიტალ. სისტემის განმტკიცებისა და შეარჩუნებისათვის ომის მომზადებისა და არმართვის რეაქციულ მიზნებს. საბჭ. ა სხვა სოციალ. სახელმწიფოთა ს-ის ამოცანია მშრომელთა სოციალ. მონაპოვრისა და მსოფლიოში მშვიდობის დაცვა. დამოკიდებულია სამ-ბის ეკონ. წყობაზე, წარმოების განვითარების დონეზე, ალხის მორალურ შესაძლებლობებზე. ოლიტ. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მის ზოგად პოლიტ. და სტრატეგიულ ამოცანებს და სახელმწიფოს, შეიარაღებული ძალებისა და ომის წარმოებისათვის აჭირო საშუალებათა მომზადების ამოცანებს.

ს-ის თეორია იკვლევს ომის ობიექტურ კანონზომიერებებს, შეიმუშავებს ომში შეიარაღებული ძალების გამოყენების, სტრატეგიული ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების საშუალებებსა და ფორმებს. პოლიტიკის მიერ დასახული მიზნის საფუძველზე სტრატეგიული ხელმძღვანელობა პრაქტიკულად ამუშავებს პოლიტიკის მოთხოვნილებათა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობათა შესაბამის გეგმებს, განსაზღვრავს ფრონტების, ფლოტებისა და არმიების მიზნებსა და მოცანებს, ძალების განლაგებას საომარი ოქმედების თეატრებსა და სტრატეგიულ მართულებებზე. ს. ისწრაფვის ყოველმხრივ გაითვალისწინოს ქვეყნისა და მისი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობანი, შექმნილი ეითარების ობიექტური ასიათი. თუ ს. არ შეესაბამება სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხეკონ. შესაძლებლობებსა და სამხ.-პოლიტ. მდგომარეობას, გამოიწვევს მოცემული სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) შეიარაღებული ძალების დამარცხებას.

საბჭ. ს. გამომდინარეობს კომუნისტური პარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს პოლიტიკიდან. მისი დებულებები და დასკვნები მუშავდება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე. ზოგადად ს. შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სსრკ-ის თავდაცვის საქმეში აგრესორის თავდასხმის მოსაგერიებლად და მის დასამარცხებლად. ს. ერთია შეიარაღებული ძალებისათვის და მისი რეკომენდაციები აუცილებელია შეიარაღებული ძალების ყველა სახეობისათვის. ოპერატ. ხელოვნ. და *ტაქტიკის* მიმართ იგი განმსაზღვრელ როლს თამაშობს და ამავე დროს ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებსაც.

ს. ჩაისახა შორეულ წარსულში და ყალიბდებოდა წარმოების დონის, საზ. წყობის ხასიათის, ახ. იარაღისა და სამხ. ტექ. გამოჩენასთან მჭიდრო კავშირში, ომის გამოცდილების გათვალისწინებით, საზ.-ეკონ. ფორმაციათა შეცვლა ს-ის დამახასიათებელი ნიშნებისა და შინაარსის შეცვლას იწვევდა. სამხ. თეორიის ჩასახვა, კერძოდ, ომის წესების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ძვ. წ. VI ს. დასასრ. და ახ. წ. V ს. დასაწყ. გამოჩენილი მოღვაწეების იულიუს კეისრის, ფრონტინუსის, ონოსანდრეს, პოლონიუსისა და ვეგეციუსის სახელებთან. ფეოდალიზმის ეპოქაში (X—XV სს.) ს-ის თეორია ერთ წერტილზე გაიყინა, რადგან დას. ევრ. ფეოდ. სახელმწიფოებს მცირე მასშტაბის შინაომები ჰქონდათ. XVII—XVIII სს. ევრ. არმიებში საყოველთაოდ იქნა აღიარებული ე. წ. კორდონული ს; ფეოდ. სახელმწიფოები ესწრაფოდნენ ომის მოგებას მტრის კომუნიკაციებზე მარჯვე მანევრირებით, მისი სიმაგრეების ბლოკადითა და ხელში ჩაგდებით. XVIII ს. II ნახევარში რუსმა მხედართმთავრებმა პ. რუმიანცევ-ზადუნაისკიმ, ა. სუვოროვმა და ფლოტის სარდალმა თ. უშაკოვმა უკუაგდეს კორდონული სტრატეგიის პრინციპები. რუმიანცევი აღიარებდა პოლიტიკის პრიორიტეტს სტრატეგიაზე. მისი მოქმედება ითვალისწინებდა არა მხოლოდ მტრის ტერიტორიის დაპყრობას, არამედ ცოცხალი ძალის განადგურებასაც. სუვოროვმა განავითარა რუმიანცევის ს. და საფუძველი ჩაუყარა საომარ მოქმედებათა წარმოების ახ. სისტემას, რ-შიც სტრატეგიული მიზნები გადამწყვეტი შეტევით, ინიციატივის ხელში აღებით, ჯარების თავმოყრით მთავარ მიმართულებებზე და გაბედული მანევრით ხორციელდებოდა. XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში საფრ. დიდ რევოლუციასა და ეროვნ.-განმათ. ომებს დიდი ცვლილებები მოჰყვა, შეიცვალა ომის ხასიათი და წესები. ომის სტრატეგიული მიზნები ხორციელდებოდა მტრის ცოცხალი ძალის განადგურებით. ნაპოლეონ I-ის ს-ს ახასიათებდა მტერზე გამარჯვების მიღწევა ერთ გენ. ბრძოლაში. XIX ს. დასაწყისში რუს. ს-ის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა მ. კუტუზოვმა. 1812 სამამულო ომისა და XIX ს. სხვა ომების გამოცდილება საფუძვლად დაედო ს-ის შემდგომ გაუმჯობესებას რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა სახელმწიფოებში. XVIII ს. ბოლოს—XIX ს. დასაწყისში კ. კლაუზევიცი, ა. ჟომინი და სხვა სამხ. თეორეტიკოსები თავიანთ ნაშრომებში რამდენადმე ასახავდნენ დას. ევრ. ბურჟ. მასობრივი არმიების ს-ის პრინციპებს.

I მსოფლიო ომის (1914—18) წინ ევრ. სახელმწიფოთა უმრავლესობის სტრატეგიული კონცეფციები ემყარებოდა ხანმოკლე ომის აუცილებლობას. ეს კონცეფციები უვარგისი გამოდგა და ელვისებრი გამარჯვების გეგმა ჩაიშალა.



სტრასბური. ჭალაჭის ძველი ნაწილი.

საბჭ. ს-ს საფუძვლად დაედო ფ. ენგელსის მიერ ჩამოყალიბებული მარქსისტული მეცნ. სამხ. თეორია. სამოქალაქო ომისა და სამხ. ინტერვენციის (1918—20) დროს ვ. ი. ლენინმა კომუნისტური პარტიის პოლიტ. ს-ისა და ტაქტიკის საფუძველზე ჩამოაყალიბა საბჭ. ს-ის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

II მსოფლიო ომის (1939—45) წინ საბჭ. ს. ემყარებოდა იმ დებულებას, რომ აგრესორების თავდასხმისაგან თავის დასაცავად საჭიროა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობათა შეთანხმებული გადამწყვეტი შეტევა. თავდაცვითი ოპერაციების თეორია უმთავრესად არმიის მასშტაბით მუშავდებოდა. თანამედროვე ომში მოულოდნელობა გამარჯვების მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლებოდა, მაგრამ მტრის მოულოდნელი თავდასხმის უკუგდების პრობლემა ჯეროვნად არ იყო დამუშავებული. I მსოფლიო ომის გამოცდილებით იმპერიალ. სახელმწიფოებმა გადაჭარბებულად შეაფასეს საბრძოლო ოპერაციებში ავიაციისა და ტანკების როლი. ამის შედეგად გაჩნდა სამხ. თეორიები გამარჯვების მიღწევისა „საჰაერო ომით" (ჯ. დუე, იტალია), „სატანკო ომით" (ჯ. ფულერი, დიდი ბრიტანეთი; პ. გუდერიანი, გერმანია) და სხვ. ოფიც. ს-დ იყო მიჩნეული „ტოტალური და ელვისებური ომი" (ე. ლუდენდორფი, გერმანია; იხ. გეგმა „ბარბაროსა"), „საზღვაო ძლიერება" (დიდი ბრიტანეთი, აშშ), „პოზიციური ომი" (საფრანგეთი).

დიდი სამამულო ომის (1941—45) პერიოდში აშკარა იყო საბჭ. ს-ის უპირატესობა გერმ. ფაშისტთა სარდლობის ს-ზე და ამან უზრუნველყო კიდეც სსრკ გამარჯვება. საბჭ. ს. ემყარებოდა სამხ.-პოლიტ. მდგომარეობის ობიექტურ გათვალისწინებას და მხარეთა ძალების რეალურ შეფარდებას ბრძოლის ყველა ეტაპზე. ყველა სტრატეგიული ოპერაცია მუშავდებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ხელმძღვანელობით, რ-საც სათავეში ედგა უმაღლესი მთავარსარდალი ი. სტალინი.

II მსოფლიო ომში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით ყველა სახელმწიფომ დაიწყო ახ. ს-ის შექმნა. იმპერიალ. სახელმწიფოებმა აშშ-ის რეაქციული წრეების მეთაურობით შექმნეს აგრესიული სამხ. ბლოკების სისტემა, მ. შ. ყველაზე დიდი — ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო, შეიქმნა 1949). მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ევრ. სოციალ. სახელმწიფოებმა 1955 დადეს თავდაცვითი ხასიათის ვარშავის ხელშეკრულება.

საბჭ. ს-ის მიზანია დაიცვას სოციალ. მონაპოვარი, მშვიდობა და ხალხთა უშიშროება. იმპერიალ. სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა, გამალებული შეიარაღება და მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის აუცილებლობა საბჭ. ს-ის-

სტრატეგია. თითოეული სტრატეგიული კაშკაშა და მკვეთრი მხრიდან („თავით") მიმართულია კათოდისაკენ. სტრატის სიკაშკაშე, როგორც წესი, ანოდისაკენ კლებულობს. თანამედროვე წარმოდგენით, სტრატის „თავში" ელექტრული ველის დაბაბულობა, ელექტრონების ტემპერატურა და კონცენტრაცია დიდია. დიფუზიის პროცესში სტრატის „თავიდან" ანოდისაკენ ელექტრონების გადაადგილებისას მათი კონცენტრაცია და ტემპერატურა იმდენად მცირდება, რომ იონიზაცია წყდება (წარმოიქმნება ბნელი შუალედი). შემდეგ აღიძვრება ელექტრული პოტენციალის ახალი ნახტომი და წარმოიქმნება ახალი სტრატები.

აგან მოითხოვს საბჭ. შეიარაღებული ძალების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად საჭირო ეფექტური გზების შემდგომ დამუშავებას.

ლიტ.: Энгельс Ф., Стратегия войны, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 13; Михневич Н. П., Стратегия, т. 1—2, СПб., 1910—11; Стратегия в трудах военных классиков, т. 1—2, М., 1924—26.

სტრატეგია თამაშის თეორიაში, იხ. სტ. *თამაშის თეორია.*

სტრატეგიული დანიშნულების საჰაერო ჯარები, სსრკ შეიარაღებული ძალების სახეობა, რ-იც განკუთვნილია რაკეტული იარაღით სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად. ს. დ. ს. ჯ-ს შეუძლიათ გაანადგურონ მტრის პირველი თავდასხმის საშუალებები, სამხ.-სამრეწველო ობიექტები, მოშალონ სახელმწ. და სამხ. მართვა-გამგეობა, ზურგისა და ტრანსპ. მუშაობა. ს. დ. ს. ჯ. დასახულ ამოცანებს ასრულებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა სტრატეგიულ საშუალებებთან ურთიერთმოქმედებით. ს. დ. ს. ჯ-ის, როგორც შეიარაღებული ძალების სახეობის, მთავარი თვისება ისაა, რომ მათ შეუძლიათ დიდი სიზუსტით განახორციელონ ბირთვული დარტყმა პრაქტიკულად განუსაზღვრელ შორ მანძილზე, რაკეტულ-ბირთვული დარტყმებით შეასრულონ ფართო მანევრი და დაკავებული პოზიციებიდან ერთდროულად დაარტყან ყველა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს, გადაჭრან დასახული ამოცანა უმოკლეს ვადაში და შეუქმნან ხელსაყრელი პირობები შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებს საომარი მოქმედების წარმატებით დასამთავრებლად. ორგანიზაციულად ს. დ. ს. ჯ. შედგებიან ნაწილებისაგან, რ-ებიც შეიარაღებული არიან საშ. სიშორისა და საკონტინენტთაშორისო სტრატეგიული რაკეტებით.

საბჭ. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში პირველი რაკეტული ნაწილი ჩამოყალიბდა 1946 წ. 15 ივლისს. 1960 იანვ-ში შეიქმნა ას. ს. დ. ს. ჯ. ს. დ. ს. ჯ-ს სათავეში უდგას მთავარსარდალი—სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე. მას ექვემდებარება მთავარი შტაბი და მთავარი სამმართველო.

უცხოეთის სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში ს. დ. ს. ჯ-ის სპეც. სახეობა არ არის. აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ხმელეთზე ბაზირებული სტრატეგიული რაკეტების ნაწილები და შენაერთები ექვემდებარება სამხ.-საჰაერო ძალების სტრატეგიული ავიაციის სარდალს, რ-იც ოპერატ. საკითხებში უშუალოდ ექვემდებარება შტაბების უფროსთა კომიტეტს. სტრატეგიული ავიაციის სარდლობის განკარგულებაშია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები: „მინიტმენ-3“ და „ტიტან-2“. საფრ. შეიარაღებული ძალების განკარგულებაშია ხმელეთზე ბაზირებული საშ. სიშორის ბალისტიკური რაკეტები „S-2“. ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს აქვთ საშ. სიშორის და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები.

სტრატეგოსი (ბერძნ: stratēgos < stratos — ჯარი და agō — მივუძღვები) მზედართმთავარი ძვ. ბერძნულ პოლისებში ძვ. წ. VI ს. — ძვ. წ. I ს. შუა წლებში. ათენში ძვ. წ. 500-იდან 10 ს-გან შემდგარ კოლეგიას ირჩევდნენ. ერთი ს. ჰოპლიტებს სარდლობდა, მეორე — ფლოტს, მესამე — ქვეყანას იცავდა, ორი ს. — პირეოსს. დანარჩენები რიგრიგობით ჯარს სარდლობდნენ. ს-ს ირჩევდა სახ. კრება ერთი წლის ვადით ფილეების მიხედვით (თითო ფილედან თითოს). შეიძლებოდა განმეორებით არჩევაც, მაგ., პერიკლე ზედიზედ 15 წელს იყო ს-ად. ს. გასამრჯელოს არ იღებდა. იგი სათავეში ედგა აგრეთვე საერთო ბერძნ. სამხ.-პოლიტ. კავშირებს (აქაელთა, ეტოლიისა და სხვ.). თანამედროვე გაგებით, ს. არის სარდალი, მსხვილი სამხ. ოპერაციების ხელმძღვანელი.

სტრატიგრაფია (ლათ. stratum — ფენა, შრე და ...გრაფია), გეოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის გეოლ. წარმონაქმნების ჩამოყალიბების თანამიმდევრობას და მათ პირვანდელ სივრცით ურთიერთდამოკიდებულებას. ს. ეწოდება აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონის გეოლ. წარმონაქმნების განლაგების თანამიმდევრობის აღწერას (მაგ., ალპების ს., კავკასიის ს. და ა. შ.). ს-ის ძირითადი ამოსავალი დებულებაა შრეთა წარმოქმნის თანამიმდევრობის კანონი (ნ. *სტენო*, 1669), რ-ის მიხედვით შრეთა ნორმალური (ჩვეულებრივ, თითქმის ჰორიზ.) განლაგების დროს ქვედა შრე ზედაზე უფრო ძველია. ეს დებულება ირღვევა მხოლოდ მაშინ, თუ ტექტონ. დეფორმაციის შედეგად შრეთა დასტა გადაგირავებულია, წარსულ გეოლ. პერიოდებში არსებულ წყლის აუზებში დალექილი შრეების თანამიმდევრობის შესწავლის საფუძველზე ავგებენ გეოლ. ჭრილის სტრატიგრაფიულ სვეტს, რ-შედაც გარკვეული მასშტაბითა და სათანადო პირობითი ნიშნებით გამოხაზულია ჭრილში დანალექ ქანთა შრეების საწყისი (ნორმალური) თანამიმდევრობა, მათი ასაკი და მათ შორის არსებული კონტაქტების ხასიათი (*თანხმობითი განლაგება* ან *უთანხმო განლაგება*). რეგიონის, კონტინენტის ან მთელი დედამიწის ს-ის კვლევისას ტარდება ცალკეული გეოლ. ჭრილების სტრატიგრაფიული სვეტების კორელაცია (შეპირისპირება). დედამიწის ორგ. სამყაროს შეუქცევი განვითარების გამო, შრეთა ასაკის დადგენისა და კორელაციისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს ნალექებში დაცულ ორგანიზმთა განამარხებულ ნაშთებს (იხ. *ბიოსტრატიგრაფია, პალეონტოლოგიური მეთოდი, სახელმძღვანელო ნამარხები*). ს-ში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქანების დათარიღების რადიოლოგიურ მეთოდებს (იხ. *გეოლოგიური წელთაღრიცხვა*). ეს მეთოდები განსაკუთრებით დიდი წარმატებით გამოიყენება იმ შრეთა დათარიღებისათვის, რ-ებიც არ შეიცავს ორგანიზმების ნაშთებს (უპირატესად ქვედა კამბრიულისწინა წყებებში), აგრეთვე მაგმური ქანების დათარიღებისათვის. დანალექი და ვულკანოგენური ქანების კორელაციისათვის გამოიყენება აგრეთვე მათი ნივთიერი შედგენლობისა და *პალეომაგნეტიზმის* კვლევის შედეგები. შეშუშავებულია ერთიანი გლობალური სტრატიგრაფიული სკალა, რ-ის ყოველი ქვედანაყოფი (ეონოტემა, *ჯგუფი* — ერატემა, *სისტემა, სექცია, სართული, ქრონოზონა*) შეესაბამება გეოლ. წელთაღრიცხვის იმ ქვედანაყოფებს, რ-ის განმავლობაში იგი წარმოიქმნება (ეონი, *ერა, პერიოდი, ეპოქა, საუკუნე*, დრო). ერთიანი სტრატიგრაფიული სკალის ქვედანაყოფების გარდა, სხვადასხვა რეგიონში პალეონტოლ. ან ლითოლოგიური მონაცემების საფუძველზე გამოყოფენ ადგილ. სტრატიგრაფიულ ერთეულებს: სერიებს, *წყებებს*, დასტებს, ჰორიზონტებს და სხვ. ს-ს დიდი პრაქტ. მნიშვნელობა აქვს გეოლ. აგებგმვისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა (განსაკუთრებით ფენობრივ საბადოთა) ძებნისა და ძიებისათვის.

სსრკ-ში 1955-იდან არსებობს სსრკ მეცნ. აკად. და სსრკ გეოლ. სამინისტროს საუწყებათაშორისო სტრატიგრაფიული კომიტეტი, რ-იც კოორდინაციას უწევს სამეცნ.-კვლ. და საწარმოო გეოლ. დაწესებულებებში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე კვლევას ს-ის დარგში. საერთაშ. მასშტაბით კვლევის კოორდინაციას ახორციელებს გეოლ. მეცნ. საერთაშ. კავშირის სტრატიგრაფიული კომისია.

ლიტ.: Жамбю М., Стратиграфическая геология, пер. с франц., М., 1952; Международный стратиграфический справочник, М., 1978; Стратиграфическая классификация. Материалы к проблеме, Л., 1980.

სტრატიგრაფია არქეოლოგიაში, კულტურული ფენების მონაცვლეობის სისტემა, მათი დამოკიდებულება ერთმანეთთან და ბუნებრივ დაშრევებასთან. ს-ის შესწავლა აუცილებელია შედარებითი ქრონოლოგიის დასადგენად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როცა კულტ. ფენები დაზიანებულია თხრილებით, ხრამებით, ზვავით და ა. შ. სტრატიგრაფიული აღდგენა ხდება ვერტ. ჭრილებით. არქეოლ. დათარიღების სხვა მეთოდების მოშველიებით შედარებითი დათარიღებიდან მივდივართ აბსოლ. დათარიღებამდე. ერთი ძეგლის მონაცემები, შეიძლება გამოვიყენოთ მთელი რ-ნის ძეგლების შედარებითი დათარიღებისათვის. დასახლების ან სამაროვნის თანდათანობით ზრდას არქეოლოგიაში ჰორიზ. ეწოდება.

ლიტ.: Абдусин Д. А., Полевая археология СССР, М., 1972; Монгайт А. Л., Археология Западной Европы. Каменный век, М., 1973.

სტრატიგრაფიული სკალა, სკალა, რ-იც გვიჩვენებს დედამიწის ქერქის ამგები ქანების სტრატიგრაფიულ ქვედანაყოფთა თანამიმდევრობას და ურთიერთდაქვემდებარებას; ასახავს დედამიწის ქერქის განვითარების ისტორიის ეტაპებს. ს. ს-ის ერთეულებია (უმსხვილესიდან უმცირესამდე): ეონოტემა (აერთიანებს რამდენიმე ჯგუფს), *ჯგუფი* (ერატემა), *სისტემა*, ზესექცია, *სექცია*, ქვესექცია, *სართული*, *ქრონოზონა*. იხ. აგრეთვე *გეოლოგიური წელთაღრიცხვა*; *სტრატიგრაფია*.

სტრატიოტები (ბერძნ. stratiōtai), გლეხთა კატეგორია ბიზანტიაში. ს. სამხ. ვალდებულნი იყვნენ, რისთვისაც სახელმწიფოსაგან იღებდნენ (IX ს-იდან) ნადელებს, რ-თა გასხვისება არ შეიძლებოდა (ფრანგი მეცნ. პ. ლემერლის თეორიით, სტრატიოტული ნადელების მფლობელნი სამხ. ვალდებული არ იყვნენ, მათ ევალებოდათ მხოლოდ მეომართა მომარაგება). ს. ჯარში ცხადდებოდნენ თავიანთი ცხენებითა და აღჭურვილობით, განთავისუფლებულნი იყვნენ ყველა სახელმწ. ვალდებულებისაგან, იხდიდნენ მხოლოდ სახელმწ. მიწის გადასახადს (კანონს). ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად X ს-იდან იწყება ს-ის დიფერენციაცია: უღარიბესი ს. პარიკებად იქცევიან, ხოლო შეძლებულნი კატაფრაქტების (მძიმედ შეიარაღებული რაინდობა) ჯარს შეადგენდნენ. ს-ის ზედაფენა თანდათანობით ფეოდალებს შეერწყა. XII—XIII სს-იდან ტერმინი „ს.“ უმთავრესად მეომარ-ფეოდალებს აღნიშნავდა.

სტრატოვულკანი (ლათ. stratum — ფენა, შრე და *ვულკანი*), შრეებრივ-ვულკანი, შერეული ვულკანი, ვულკანი, რ-ის კონუსი აგებულია ერთმანეთის მონაცვლე გამყარებული ლავური ნაკადებისა და ლავის შეცემენტებული (ტუფადქცეული) ნატეხებისაგან. წარმოიქმნება ლავის ამონთხევისა და ვულკ. აფეთქებითი მოქმედების დროს. ს-ის კონუსის კალთები ზედა ნაწილში ციცაბოა, ქვევით—შედარებით დაბრეცი. კონუსის სიმაღლე რამდენიმე ათეული *მ*-იდან რამდენიმე *კმ*-მდეა. ძაბრისებრი კრატერის დიამეტრი — ათეული *მ*-იდან 2—3 *კმ*-მდე. მაგ., ს-ებია კლიუჩევსკაია -სოპკა და კარიმსკაია-სოპკა კამჩატკაზე (სსრკ), ფუძიამა (იაპონია).

სტრატონავტი (ლათ. stratum — ფენა, შრე და ბერძნ. nautēs—ზღვით მოგზაური), პირი, რ-იც სტრატოსტატით დაფრინავს.

სტრატონი (Straton) ლამფსაკოსელი (ძვ. წ. 340—270/268), ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, პერიპატეტიკოსთა სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 18 წელი

მონაცემები სტრატოსტატის ფრენის შესახებ

ეკიპაჟი, ქვეყანა, ფრენის თარიღი	მიღწეული სიმაღლე (*მ*), ჰაერში ყოფნის დრო
ა. პიკარი, პ. კიპფერი (ბელგია 27. V. 1931)	15780 16 *სთ*
ა. პიკარი, მ. კოზინსი (ბელგია, 12. VIII. 1932)	16370 11 *სთ* 45 *წთ*
ვ. პროკოფიევი, კ. გოდუნოვი, ე. ბირნბაუმი (სსრკ, 30. IX. 1933)	19000 6 *სთ* 20 *წთ*
პ. ფედოსენკო, ა. ვასენკო, ი. უსისკინი (სსრკ, 30. I. 1934)	22000 7 *სთ* 4 *წთ*
კ. უინერი, ა. სტივენზი, ო. ანდერსონი (აშშ. 28. VII. 1934)	18000 9 *სთ* 57 *წთ*
მ. კოზინსი, ნ. უან დერ ელსტი (ბელგია 18. VIII. 1934)	16000 14 *სთ*
კ. ზილე, ი. პრილუცკი, ა. ვერნიგო (სსრკ, 26. VI. 1934)	16200 2 *სთ* 37 *წთ*
ა. სტივენზი, ო. ანდერსონი (აშშ, 11. II. 1935)	22066 8 *სთ* 15 *წთ*

ამ სკოლის მეთაური იყო. მისი მრავალი თხზულებიდან შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები. ს. პერიპატეტიკოსთა შორის გამოირჩევა მატერიალ. პოზიციით, ღმერთისა და ტელეოლოგიის უარყოფით. „ყოველი არსებული", მისი აზრით, „ბუნების მიერ არის შექმნილი". რისამე წარმოქმნის, ცვალებადობის საფუძვლად მიჩნეულია სითბო და სიცივე. ს. ანგარიშს უწევდა დემოკრიტეს ატომისტიკას. აზროვნების საფუძვლად გრძნობადს თვლიდა, ბუნების მეცნ. კვლევაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ექსპერიმენტს. დიდია მისი გავლენა ალექსანდრიული სკოლის მოაზროვნეებზე.

ლიტ.: Диоген Лаэртский, О жизни, учениях и изречениях знаменитых философов, М., 1979, с. 222—224.

მ. ჭელიძე.

სტრატოსტატი, თავისუფალი *აეროსტატი*, რ-იც განკუთვნილია სტრატოსფეროში, ე. ი. 11000 *მ*-ზე მეტ სიმაღლეზე ასაფრენად. თუ ს-ს ჰყავს ეკიპაჟი, მაშინ მისი გონდოლა ჰერმეტულია და აქვს სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის საჭირო აპარატურა. ს-ის მთლიანად გავსებული გარსის მოცულობა აფრენის სიმაღლისა და ასაწევი მასის შესაბამისად 14000-იდან 105 000 $მ^3$-მდე იცვლება. სტრატოსფეროს მხოლოდ ქვედა ფენებამდე ასაფრენ ს-ს სუბსტრატოსტატს უწოდებენ. ეკიპაჟიანი ს-ებით ყველაზე მეტჯერ გაფრინდნენ XX ს. 30-იან წლებში.

სტრატოსფერო (ლათ. stratum — ფენა, შრე და *სფერო*), ატმოსფეროს ფენა, რ-იც განლაგებულია ტროპოსფეროსა და მეზოსფეროს შორის (8—16 *კმ*-იდან 45—55 *კმ*-მდე სიმაღლეზე). ს-ს ჰაერის შედგენილობა ტროპოსფეროს შედგენილობის მსგავსია, მაგრამ მასში ნაკლებია წყლის ორთქლი და მეტია ოზონი. ს-ს ქვედა საზღვარზე ტემპ-რა იცვლება —40°C-იდან (პოლარულ და ზომიერ განედებზე) — 80°C-მდე (ტროპიკებში). ს-ს ზედა საზღვარზე ტემპ-რა საშუალოდ 0°C უახლოვდება.

სტრატოსფერული ასტრონომიული სადგური, სამეცნიერო აპარატურის, ამწევ და მაშველ საშუალებათა, აგრეთვე ფრენის მართვის მოწყობილობათა კომპლექსი, რ-იც სტრატოსფეროდან ასტრონომიული დაკვირვების საშუალებას იძლევა. ს. ა. ს. აღწევს 20—30 *კმ* სიმაღლეს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ასტრონ. დაკვირვებები ჩატარდეს დედამიწის ზედაპირთან შედარებით ბევრად ნაკლები გაბნევისა და ციმციმის პირობებში, ნებისმიერ დროს, გამოსაკვლევი ციური სხეულის სპექტრის მიწიერი წარმოშობის სპექტრული ხაზებითა და ზოლებით დაეკრანების გარეშე.

ს. ა. ს-ის აპარატურა შედგება რამდენიმე ტელესკოპისაგან, რ-ებიც აღჭურვილია ფოტოკამერით, სპექტროგრაფით, სკანირებადი ფოტოელექტრული სპექტრომეტრით, ბოლომეტრებით, გამა- და რენტგენული გამოსხივების მთელელებით. ამწევი საშუალებაა ჰელიუმით ან წყალბადით ავსებული სტრატოსტატი. მაშველად გამოყენებულია საპარაშუტო სისტემები და ამორტიზატორები. ფრენის მართვა წარმოებს რადიოსიგნალებით, რ-ებიც დედამიწაზე განლაგებული სამართავი პულტებიდან გადაეცემა. ს. ა. ს-ების დიდი ღირსებაა მათი მრავალჯერ გამოყენების შესაძლებლობა.

ს. ა. ს-ების პირველი გაშვება განახორციელეს ფრანგმა მეცნ. ა. დოლფიუსმა და ამერ. მეცნ. მ. შვარცშილდმა XX ს. 50-იან წლებში.

საბჭ. კავშირში პირველი დიდი ზომის ს. ა. ს. გაუშვეს 1966. დაკვირვებებმა ს. ა. ს-ებით მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა მზის ატმოსფეროს კვლევის საქმეში. აღმოჩნდა, რომ ზეგიგანტ ვარსკვლავთა ატმოსფეროებში არის წყლის ორთქლი. განისაზღვრა ჩვენი გალაქტიკის ბირთვის ზომა, ნათობა და ა. შ.

ლიტ.: Крат В. А., Котляр Л. М., Баллонная астрономия, Л., 1972.

სტრაუტმანისი პეტრე იაკუბის ძე (დ. 24. IV. 1919, ახლანდ. კულდიგის რ-ნი, ლატვ. სსრ), საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტსკოლა (1954). ლატვიაში საბჭ. ხელისუფლების აღდგენის შემდეგ (1940 ივლ.) კომკავშირის ტალსენის სამაზრო კომიტეტში განყ-ბის გამგე იყო. დიდი სამამულო ომის (1941—45) მონაწილე. 1944-იდან პარტიის ვალკის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი, სამაზრო გაზეთის რედაქტორი. 1950—60 პარტიის აპეს რაიკომის პირველი მდივანი, ლატვ. კპ ცკ-ის განყ-ბის გამგე, ლატვ. სსრ საბჭ. მეურნეობების მინისტრი. 1960—65 ლატვ. კპ ცკ-ის მდივანი. 1965—74 ლატვ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავრის პირველი მოადგილე. 1974-იდან ლატვ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე. სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრი 1976-იდან, სსრკ VII—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ოქტ. რევ. ორდენით, 5 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

სტრაფორდი (Strafford) ტომას უენტუორთ (13. IV. 1593, ლონდონი, — 12. V. 1641, იქვე), ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი 1640-იდან. 1614 პირველად აირჩიეს პარლამენტში. 20-იან წლებში იყო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. 1628 მეფის მხარეზე გადავიდა და ჩარლზ I-ის უახლოესი მრჩეველი გახდა. 1632-იდან ირლ. ლორდი ნაცვალი იყო. 1640 წ. 11 ნოემბ., ინგლისის ბურჟ. რევ. დროს ხანგრძლივმა პარლამენტმა სახელმწ. ღალატის ბრალდებით დააპატიმრა, მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს.

სტრაშივიროვი ანტონ ტოდოროვ (15. VI. 1872, ვარნა, — 7. XII. 1937, სოფია), ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. პირველი რეალისტური მოთხრობათა კრებ. „სიცილი და ცრემლები" 1897- გამოაქვეყნა. ს-ს ეკუთვნის სოც.-ფსიქოლ. რომანები „შფოთიანი დრო" (1899), „შემოდგომის დღეები" (1902); დრამა „ვამპირი" (1902), კომედია „დედამთილი" (1906) და სხვ. სექტ. ანტიფაშისტური აჯანყების (1923) შემდეგ ს-ის შემოქმედებაში ახ. ეტაპი დაიწყო. 1926—27 გამოსცემდა ლიტ. ყოველკვირეულ ჟურნალს „ვედრინა". მნიშვნელოვანია მისი რომანი „ქორო" (1926), ეროვნ.-განმათ. მოძრაობას ეხება დაუმთავრებელი რომანი „მონები" (ნაწ. 1—2, 1929—30).

სტრახოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე [2 (15). IV. 1900, ბოლხოვი, ახლანდ. ორიოლის ოლქი, — 13. VII. 1978, მოსკოვი], საბჭ. გეოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). 1928 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1934-იდან მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტში. ს. თანამედროვე ლითოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. დანალექი წყებების წარმოქმნის შესწავლისას ს-მა განავითარა და თანმიმდევრულად გამოიყენა კვლევის შედარებით-ლითოლოგიური მეთოდი. ს-ის ძირითადი შრომები შეეხება შავი და კასპიის ზღვების, შიგაკონტინენტური ტბების (არალის, ბალხაშისა და სხვ.), აგრეთვე წყნარი, ატლანტისა და ინდ. ოკეანეების თანამედროვე ნალექების გენეზისს. ს-მა ჩამოაყალიბა მოძღვრება ლითოგენეზისის 4 ტიპის შესახებ, დიდი წვლილი შეიტანა დანალექი ქანების გეოქიმიის კვლევის საქმეში. ლენინური პრემია (1961), სსრკ სახელმწ. პრემია (1948), ა. კარპინსკის სახ. ოქროს მედალი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით. ს-ის სახელი ეწოდა მთას ანტარქტიდაში, აგრეთვე სამეცნ.-კვლ. გემს.

თხზ.: Избр. труды. Общие проблемы геологии, литологии и геохимии, М., 1983 (ახლავს შრომათა ბიბლიოგრ.); Типы литогенеза и их эволюция в истории Земли, М., 1963.

სტრეზის კონფერენცია 1935 გერმანიის მიერ ვერსალის საზავო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, შედგა 11—14 აპრილს ქ. სტრეზაში (იტალია) დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით. განიხილეს საფრ. მემორანდუმი გერმანიის მიერ ვერსალის საზავო ხელშეკრულების სამხ. მუხლების დარღვევის თაობაზე. ს. კ-ის მონაწილეებმა დაგმეს ჰიტლერული მთავრობის მოქმედება (სამხ. ავიაციის აღდგენა, საყოველთაო სამხ. ვალდებულების შემოღება) და დაადასტურეს ერთგულება *ლოკარნოს ხელშეკრულებისადმი.*

დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა გერმ. წინააღმდეგ სანქციების გამოყენებაზე, რითაც კონფერენციის მნიშვნელობა ფაქტობრივად გაბათილდა; ბ. მუსოლინის „არაოფიციალურად" შეატყობინეს, რომ იტალ. აგრესიას ეთიოპიაში დიდი ბრიტანეთი წინააღმდეგობას არ გაუწევს. ბურჟ. პრესის შეფასებით ს. კ-მ შექმნა „მშვიდობის ფრონტი" („სტრეზის ფრონტი"), ნამდვილად კი ეს იყო აგრესორების „დაშოშმინების" პოლიტიკის მორიგი ეტაპი.



ა. სტრაშიმიროვი.

სტრეკალოვი გენადი მიხეილის ძე (დ. 28. X. 1940, ქ. მიტიშჩი, მოსკ. ოლქი), საბჭ. კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (10. XII. 1980,— 11. IV. 1984). სკკპ წევრი 1972-იდან. 1965 დაამთავრა მოსკ. ბაუმანის სახ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი. შემდეგ მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში. კოსმონავტთა რაზმშია 1973-იდან. 1980 წ. 27 ნოემბ. — 10 დეკ. ლ. კიზიმსა და *ო. მაკაროვთან* ერთად იფრინა კოსმოსში ხომალდ „სოიუზ ტ-3-ით", როგორც მკვლევარმა კოსმონავტმა. 26 ნოემბ. ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურს „სალუტ-6", კოსმონავტები გადავიდნენ სადგურში და 13 დღე-ღამის მანძილზე ჩაატარეს ხომალდ „სოიუზ-3-ის" გამოცდისა და „სალუტ-6-ის" პროფილაქტიკის, აგრეთვე სამედ.-ბიოლ. და ტექ. ექსპერიმენტები. მეორედ ს-მა კოსმოსში იფრინა 1983 წ. 20—22 აპრილს „სოიუზ-ტ-8-ით" *ვ. ტიტოვსა* და *ა. სერებროვთან* ერთად, მესამედ კი — 1984 წ. 3—11 აპრილს „სოიუზ ტ-11-ით" *ი. მალიშევსა* და *რ. შარმასთან* ერთად. ს. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და მედლებით.



ნ. სტრახოვი.

სტრელერი (Strehler) ჯორჯო (დ. 14. VIII. 1921, ტრიესტი), იტალიელი რეჟისორი. 1940 დაამთავრა მილანის დრამ. ხელოვნ. მოყვარულთა აკადემია. რეჟისორული მოღვაწეობა დაიწყო 1941. 1947 შექმნა და პ. გრასისთან ერთად მეთაურობდა იტალიაში პირველ სტაციონარულ დრამ. თეატრს „პიკოლო-ტეატროს" (მილანი). 1968—72 ხელმძღვანელობდა საკუთარ თეატრ. დასს, 1972 დაბრუნდა „პიკოლო-ტეატროში". საუკეთესო სპექტაკლები: გორკის „ფსკერზე" (1947), გოლდონის „ორი ბატონის მსახური" (1947), ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა" (1956), შექსპირის „მეფე ლირი" (1972). დადგა საოპერო სპექტაკლები: ვერდის „ტრავიატა" (1947), ჩიმაროზას „საიდუმლო ქორწინება" (1949, ორივე მილანის თეატრ „ლა სკალაში") და სხვ.



გ. სტრეკალოვი.

სტრელეცები (მეთოფენი), სტრელეცების ჯარი, ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებული რუსეთის ჯარი XVI—XVIII სს. დასაწყისში. შეიქმნა XVI ს. 40—50-იან წლებში. თავდაპირველად ს-ს რაბათისა და სოფლის



ა. სტრეპეტოვა.



ა. სტრეპეტოვა ლიზავეტას როლში (ა. პისემსკის „მწარე ხვედრი").

თავისუფალი მოსახლეობისაგან აგროვებდნენ. შემდგომ მათი სამსახური მუდმივი და მემკვიდრეობითი გახადეს.

ს-ის პოლკები დაყოფილი იყო ასეულებად და ათეულებად, იყოფოდნენ ცხენოსანთა და ქვეით პოლკებადაც. ცხოვრობდნენ ცალკე უბნებად, ხაზინისაგან იღებდნენ ფულად ჯამაგირსა და სურსათს. XVI ს. დასასრ. ს-ის ჯარი 20—25 ათ. კაცს ითვლიდა, 1681 კი — 55 ათ., აქედან 22,5 ათ. მოსკოვში იყო. ს-ის ჯარმა თავი გამოიჩინა ყაზანის გარემოცვისას (1552), ლივონიის ომში, უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ XVII ს. დასაწყისში, მაგრამ XVII ს. II ნახევარში გამომუღაენდა, თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო ის ჯარისკაცთა და რეიტართა პოლკებთან შედარებით. მძიმე სამსახურმა, ხელფასის ხშირმა დაგვიანებამ, ადგილ. ხელისუფალთა და უფროსთა ბოროტმოქმედებებმა გამოიწვია რიგით ს-ის მონაწილეობა სახ. მოძრაობაში ბატონყმობის წინააღმდეგ. პეტრე I-ის დროს დაიწყო ს-ის პოლკების დაშლა, მაგრამ ნარვასთან მარცხმა (1700) ეს საქმე შეაჩერა. ს-ის ჯარმა თითქმის XVIII ს-მდე იარსება.

სტრემგრენი (Strömgren) სვანტე ელის (31. V. 1870, ჰელსინგბორგი, შვეცია, — 5. IV. 1947, კოპენჰაგენი), დანიელი ასტრონომი, ცის მექანიკის სპეციალისტი. 1907—40 კოპენჰაგენის უნ-ტის პროფესორი და ობსერვ. დირექტორი. იკვლევდა კომეტების ორბიტების ევოლუციას და სამი სხეულის ამოცანას (ე. წ. „სამი სხეულის კოპენჰაგენის პრობლემა"), აგრეთვე ასტროფიზ. და ვარსკვლავთა ასტრონ. საკითხებს.

სტრეპეტოვა პოლინა (პელაგია) ანტიპის ასული [4 (?). X. 1850, ნიჟნი-ნოვგოროდი, ახლანდ. გორკი, — 4 (17). X. 1903, პეტერბურგი], რუსი მსახიობი. ს-ს შემოქმედების ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ბ. ბელინსკისა და ნ. დობროლიუბოვის ესთეტ. შეხედულებებმა. ს-ს დებიუტი შედგა 1865 რიბინსკში. თამაშობდა კომედიებში, ვოდევილებში, დრამებში, ოპერეტებში. ს-ს ტრაგედიული ტალანტი გამოვლინდა ლიზავეტასა და კატერინას (პისემსკის „მწარე ბედი", და ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი", 1871, ყაზანი) როლებში. ს-მ რუს. სცენაზე პირველმა აჩვენა რუსი ქალის სულიერი ძალა. სხვა როლები: მარია ანდრეევნა (ოსტროვსკის „ღარიბი საცოლე"), ვასილისა მელენტიევა (ოსტროვსკისა და გედეონოვის „ვასილისა მელენტიევა"). 1880 თამაშობდა ა. ბრენკოს პუშკინის თეატრში (მოსკოვი), 1881—90 და 1899—1900— პეტერბ. ალექსანდრას თეატრის დასში. აქ შეასრულა კრუჩინინას (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), სარას (ჩეხოვის „ივანოვი") როლები.

სტრეპტოკოკები (ბერძნ. streptos — ძეწკვი და *კოკები*), სფერული ფორმის უძრავი, გრამდადებითი ბაქტერიები (დიამეტრი 0,6—1 *მკმ*); მრავლდებიან უჯრედების ერთ სიბრტყეში დაყოფით, სპორებს არ ქმნიან; კარგად იზრდებიან ხორცის პეპტონურ საკვებ არეებზე. შეუძლიათ შაქრებისა და სპირტების დუღილის გამოწვევა. პათოგენური ს. იწვევენ ანგინას, წითელ ქარს, პნევმონიას, სეფსისს, დაჩირქებას. ზოგიერთ ს-ს შეუძლია სისხლის ერითროციტების დაშლა— *ჰემოლიზი*. იხ. აგრეთვე *ბაქტერიები*.

სტრეპტომიცინი, ანტიბიოტიკი, რ-საც გამოიმუშავებს აქტინომიცეტების სახეობა (Actinomyces globisporus streptomicini). პირველად მიიღო ამერ. მეცნ. ზ. ვაქსმანმა (თანამშრომლებთან ერთად) 1944. ს. ქიმ. ბუნებით განეკუთვნება ამინოგლიკოზიდების ჯგუფის *ანტიბიოტიკებს*. მჟავური ჰიდროლიზის დროს ს-ის მოლეკულა იშლება ექვსატომიან ციკლურ სპირტად — *ინოზიტად*, რ-ის შემცველებია სტრეპტიდინი და დისაქარიდი სტრეპტობიოზა. ს-ს აქვს ფუძის თვისება, კარგად იხსნება წყალში, პრაქტიკულად არ იხსნება ორგ. გამხსნელებში. სხვადასხვა მჟავებთან ადვილად ქმნის მარილებს. ს-ის მოლ. მასაა 581,6. მშრალი ს. აქტივობას 2 წელზე მეტხანს ინარჩუნებს. მედიცინაში იყენებენ ს-ის სულფატს.

ს-ს აქვს მოქმედების ფართო სპექტრი: აქტიურია ტუბერკულოზის მიკობაქტერიის, შავი ჭირის, ტულარემიის, ბრუცელოზის გამომწვევი ბაქტერიების, აგრეთვე დიზენტერიის, ნაწლავის ჩხირის, სტაფილოკოკების, სტრეპტოკოკების, პნევმოკოკების, გონოკოკების, მენინგოკოკებისა და ზოგიერთი სხვა ბაქტერიის მიმართ. შიგნით მიღებისას ს. არ იშლება საჭმლის მონელებაში მონაწილე ფერმენტების ზეგავლენით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითქმის არ შეიწოვება კუჭ-ნაწლავიდან. კუნთებში ინიექციისას ს. სწრაფად შეიწოვება სისხლში, სადაც მაქს. კონცენტრაციით გროვდება შეყვანიდან 1—2 *სთ* შემდეგ და ავლენს საკმაოდ ხანგრძლივ (8—12 *სთ*) მოქმედებას.

ს-ით მკურნალობის ხანგრძლივობა (რამდენიმე დღიდან 3—12 თვემდე და მეტხანს) დამოკიდებულია ორგანიზმის მგრძნობელობაზე, დაავადების ხასიათსა და პრეპარატის ეფექტურობაზე. ს-ის ხანგრძლივად მიღებისას ყველაზე სერიოზული გართულებაა ვესტიბულური დარღვევები და სმენის დაქვეითება (ზოგჯერ სიყრუეც); შეიძლება გამოვლინდეს ტოქსიკური და ალერგიული მოვლენებიც.

დ. კვაჭაძე.

სტრეპტოციდი, ანტიბაქტერიული საშუალება *სულფანილამიდური პრეპარატების* ჯგუფისა. ს-ის ტაბლეტებს, ფხვნილებს, ემულსიას, მალამოს იყენებენ სხვადასხვა ინფექციური დაავადების დროს.

სტრესი (ინგლ. stress — დაწოლა, წნევა, დაძაბვა) ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, ორგანიზმის ფსიქიკური დაძაბულობის მდგომარეობა, რ-იც ვითარდება ძლიერი გამღიზიანებლის გაკვლენით როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სპეციფ. პირობებში (მაგ., კოსმ. ფრენისას). ს-ის ცნება შემოიღო კანად. ფიზიოლოგმა ჰ. სელიემ (1936) *ადაპტაციური სინდრომის* აღწერის დროს. ს-მა შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა ადამიანის მოქმედებაზე მის სრულ დეზორგანიზაციამდე, რაც საჭიროებს რთული (ე. წ. ექსტრემალური) პირობებისადმი ადამიანის ადაპტაციისა და ამ პირობებში მისი ქცევის პროგნოზირების შესწავლის აუცილებლობას. იხ. *ადაპტაცია ფიზიოლოგიური.*

სტრესი გეოლოგიაში, ცალმხრივი მექანიკური დაძაბულობა, რ-იც იწვევს ქანების ტექტონიკურ დეფორმაციას. ს-ის მოქმედების შედეგად ქანებში წარმოიქმნება ნაოჭები, ნაპრალები, *კლივაჟი* და *ფიქლებრიობა*, ქანები განიცდიან დინამომეტამორფიზმს. ს-ის შედეგად ქანში წარმოიქმნება მაღალი წნევის მიმართ მდგრადი ე. წ. სტრესმინერალები (მუსკოვიტი, ქლორიტი, ალბიტი, გლაუკოფანი, ჟადეიტი, დისთენი და სხვ.). ნაოჭების ღერძებისა და მინერალთა კრისტ. ფორმების ორიენტაციის შესწავლის გზით შესაძლებელია ს-ის მიმართულების დადგენა.

სტრესნერი (Stroessner), სტროესნერი ალფრედო (დ. 3. XI. 1912, ქ. ენკარნასიონი), პარაგვაის სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა შეძლებული გერმ. კოლონისტის ოჯახში. პროფესიონალი სამხ. პირი. 1948-იდან ბრიგადის გენერალი, 1952-იდან პარაგ. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო. 1954 სამხ. გადატრიალება მოახდინა, ჩამოაგდო პრეზიდენტი ფ. ჩაესი და ჯარის დახმარებით პრეზიდენტი გახდა. დაამყარა სამხ.-პოლიციური დიქტატურა, რ-იც ადგილ. ლატიფუნდისტების, ბურჟ. რეაქციული წრეებისა და უცხო კომპანიების (უმთავრესად ჩრდ. ამერიკის) ინტერესებს იცავს. საგარეო პოლიტიკაში რეაქციულ რეჟიმებთან დაახლოების კურსს ატარებს. 1983 მეშვიდედ „აირჩიეს" პრეზიდენტად.

სტრეტფორდ-ონ-ეივონი (Stratford-on-Avon), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, უორიქშირის საგრაფოში, ბირმინგემის მახლობლად, მდ. ეივონის ნაპირზე. 99 ათ მკხ. (1979). მსოფლიოში ცნობილია როგორც შექსპირის ქალაქი (შექსპირი დაიბადა და გარდაიცვალა ს.-ს.-ე.-ში).

სტრი, ქალაქი უკრ. სსრ ლვოვის ოლქში, მდ. სტრის (დნესტრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. სტრის ოლქის ცენტრი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 58 ათ. მკხ. (1983). სარკინიგზო ტრანსპ. მომსახურე საწარმოები. სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის, ვაგონთსარემონტო, რკინაბეტონის კონსტრუქციების, ხის დასამუშ. ქ-ნები, მაუდის, სამკერვალო და სხვა ფ-კები. სოფ. მეურნ. მექან. ტექნიკუმი.

სტრიმერები [ინგლ. streamer (მხ. რ.), < stream — დინება, ჩაქროლება]. ვიწრო მნათი არხები, რ-ებიც წარმოიქმნება აირის შიგნით ელექტრულ ველში ატმოსფერულის მახლობელი და უფრო მაღალი წნევების დროს ამ აირის ელექტრული გარღვევის წინა სტადიაში. ს. წარმოქმნის-თანავე წაგრძელდება დიდი სიჩქარით ($\sim 10^8$ *მ/წმ*), რ-იც ბევრჯერ აღემატება ელექტროდებს შორის დამუხტული ნაწილაკების მოძრაობის სიჩქარეს. ეს აიხსნება ს-ის „თავის" მახლობლად სივრცული მუხტით შექმნილ ძლიერ ელექტრულ ველში მიმდინარე *ფოტოიონიზაციით*. სტრუქტურით ს. ძლიერ ჰგავს ელვის წინამძღოლს.

სტრიმერული კამერა, ელემენტარულ ნაწილაკთა კვლების სარეგისტრაციო ხელსაწყო; წარმოადგენს ჩაკეტილ იზოლირებულ მოცულობას (კამერას), რ-იც გავსებულია ინერტული აირით. კამერის ორ მოპირდაპირე მხარეს დამაგრებულია ელექტროდები. დამუხტული ნაწილაკის გავლის შემდეგ ($\sim 10^{-6}$ *წმ*) ელექტროდებს მოედება მაღალძაბვიანი იმპულსი, რ-ის ელექტრული ველის დაძაბულობა 10 *კვ/სმ* რიგისაა. ს. კ-ში მაღალი ძაბვის იმპულსის ხანგრძლივობის შემცირებით აირული განმუხტვა ადრეულ (სტრიმერულ) სტადიაზე წყდება, რის გამოც ნაწილაკის კვალი ემსგავსება მანათობელი ცენტრების ძეწკვს. ს. კ. მართვადი და სწრაფმოქმედია, გამოირჩევა მარტივი კონსტრუქციით. ჩვეულებრივი ნაპერწკლოვანი კამერისაგან განსხვავებით, ს. კ-ს აქვს ნაწილაკთა კვლების მანათობელი ცენტრების იზოტროპიულობის თვისებაც, რადგანაც მათ აქვთ დაახლ. ერთნაირი განფენილობა როგორც ელექტრული ველის გასწვრივ, ისე მის მართობულად.

ს. კ. ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნეს საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტსა და მოსკ. საინჟინრო ფიზ. ინ-ტში, ამავე დროს მაგნ. ველში მისი მუშაობის შესაძლებლობა შეისწავლეს ერევნის ფიზ. ინ-ტში. **ს. კ-ის შემქნელ ჯგუფს** (*ა. ალიხანიანი, თ. ასათიანი, ბ. დოლგოშეინი, ბ. ლუჩკოვი, ვ. როინიშვილი, გ. ჩიქოვანი*) მიენიჭა ლენინური პრემია 1970.

ამჟამად ს. კ-ს იყენებენ ელემენტარული ნაწილაკების თითქმის ყველა ამჩქარებელში. ერთ-ერთი დიდი ზომის (5-მეტრიანი) ს. კ., რ-იც შექმნილია საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში იშვიათი პროცესების შესასწავლად, მოქმედებს სერპუხოვის ამჩქარებელში.

ლიტ.: Чихованн Г. Е., Ройнишвили В. Н., Михайлов В. А., Исследования механизма работы трековой искровой камеры, «Журнал экспери-

ментальной и теоретической физики», 1964, т. 46, в. 4. *ნ. როინიშვილი.*

სტრინდბერგი (Strindberg) იუჰან ავგუსტ (22. I. 1849, სტოკჰოლმი, — 14. V. 1912, იქვე), შვედი მწერალი და პუბლიცისტი. თავდაპირველად განიცდიდა გ. *ბრანდესის*, შემდეგ კი ნატურალისტური და იმპრესიონისტული ესთეტიკის გავლენას; ბოლო პერიოდში მის შემოქმედებაში მომძლავრდა დეკადენტური ელემენტი. ს. სოც. და ეთიკურ პრობლემებს ეხმაურებოდა პიესებში „თავისუფლად მოაზროვნე“ (1870), „ჰერმიონე“ (1871), „განკიცხული“ (1876); რუსოისტულ იდეებს ქადაგებდა პირობით-ისტ. პიესებში „აზნაურ ბენგტის ცოლი“ (1882), „იღბლიანი პერის ხეტიალი“ (1882); შვედ. ლიტრაში ახ. რეალისტური მიმართულების თავისებური მანიფესტი იყო ს-ის ისტ. დრამა „მესტერ ულუფი“ (პროზაული რედაქცია 1872, სასცენო — 1874, პოეტური — 1877). მასვე ეკუთვნის ნოველების კრებ. „ფიერდინგენი და სვარტბეკენი“ (1877), ეთნოგრ. წიგნი „შვედი ხალხი“ (1882), რომანები „წითელი ოთახი“ (1879), „კუნძულ ჰემსეს მკვიდრნი“ (1887), ავტობიოგრ. წიგნები „მოახლის ვაჟიშვილი“ (1886—87), „ჯოჯოხეთი“ (1897), „ლეგენდები“ (1898); აღსანიშნავია აგრეთვე მისი დრამები „ფოლკუნგების საგა“ (1899), „გუსტავ ვასა“ (1899), „ვიტენბერგის ბულბული“ (1903) და სხვ. ს-ს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი სხვა რომანი და პიესა, პუბლიც. და ესთეტ. ნაშრომები. მან დიდი გავლენა მოახდინა XX ს. დრამატურგიის განვითარებაზე.

სტრიქნინი, *ალკალოიდი*, რ-საც შეიცავს ქუჩულას ერთ-ერთი სახეობის (strychnos nux vomica) თესლი. 1818 აღმოაჩინეს ფრანგმა ქიმიკოსებმა პ. ჟ. პელტიემ და ჟ. ბ. კავანტუმ. 1954 რ. ბ. ვუდვორდმა თანამშრომლებთან ერთად მოახდინა ს-ის სრული სინთეზი. ქიმ. ალნაგობით ს. რთული პოლიციკლური ნაერთია ($C_{21}H_{22}O_2N_2$); ცუდად იხსნება წყალში, იხსნება სპირტსა და ქლოროფორმში.

ს. ძლიერი ტოქსიკური შხამია. სამკურნ. დოზები (მედიცინაში იხმარება აზოტის ნიტრატი და *გალენური პრეპარატები*, რ-საც ღებულობენ ქუჩულას თესლისაგან) ასტიმულირებს ზურგის ტვინის რეფლექსურ ფუნქციას, აძლიერებს მოგრძო ტვინისა და მის ზემოთ მდებარე თავის ტვინის ცენტრების აგზნებადობას. ს-ის ტოქსიკური დოზები იწვევს დამახასიათებელ ტეტანურ კრუნჩხვებს (ოპისტოტონუსი, „სარდონიკული ღიმილი“) და სხვ.

სტრიქონული გაშლა, სატელევიზიო გამოსახულების გაშლა გადამცემი ან მიმღები ელექტრონულ-სხივური მილაკის ეკრანზე პორიზონტალური მიმართულებით ცალკეული სატელევიზიო სტრიქონების მისაღებად. ასეთი სტრიქონების ერთობლიობა ქმნის *სატელევიზიო რასტრს*. ს. გ-ის მისაღებად იყენებენ *სტრიქონული გაშლის გენერატორსა* და მაგნ. გადამხრელ სისტემას, რ-იც ელექტრონულ სხივს სწრაფად გაღაადგილებს მარცხნიდან მარჯვნივ (სხივის პირდაპირი სვლა), რის შემდეგ სხივი სწრაფად უბრუნდება შემდეგი სტრიქონის დასაწყისს (სხივის უკუსვლა).

სტრიქონული გაშლის გენერატორი, სატელევიზიო გამოსახულების სტრიქონული გაშლის მოწყობილობა. ს. გ. გ. *სატელევიზიო გადამცემი კამერისა* და მიმღების (*ტელევიზორის*) შემადგენელი ნაწილია. იგი უზრუნველყოფს ელექტრონული სხივის სინქრონულსა და სინფაზურ წრფივ გადახრას მიმღებსა და გადამცემ ელექტრონულ-სხივურ მილაკებში. ელექტრონული სხივი გადაიხრება იმ მაგნ. ველის მოქმედებით, რ-საც ქმნის გადამხრელ კოჭებში გამავალი დენი.

სტრიქტურა (ლათ. strictura—შევიწროება), რაიმე ლულოვანი ორგანოს—შარდსაწვეთის, შარდსადენის, ნაღვლის სადინარის და სხვა ვიწრო სანათურის მქონე ორგანოს ორგ. შევიწროება (შდრ. *სპაზმი*). ტერმ. „ს-ს“ ხშირად იყენებენ იმავე მნიშვნელობით, როგორითაც *სტენოზს*.

სტროგანოვის სკოლა, რუსული ხატწერის ერთ-ერთი სტილისტური მიმართულების პირობითი სახელწოდება XVI ს. დასასრ. და XVII ს. დასაწყისში. ამ მიმართულების ხატების უმრავლესობის უკანა მხარეს, ნაჭდევზე, მოხსენიებული იყვნენ რუსი ვაჭრები სტროგანოვები (აქედან სახელწოდება). ასეთი ხატების ავტორები ძირითადად იყვნენ მოსკოველი მეფის ხატმწერები, რ-ებიც ხშირად სტროგანოვების შეკვეთასაც ასრულებდნენ. ს. ს-ის მცირე ზომის ნამუშევრებს ახასიათებთ წერის დახვეწილი მანერა, ფაქიზი კოლორიტი (ძირითადად იყენებდნენ ნახევარტონებს, ოქროს, ვერცხლს), სახეებავების ფენის სიმკვრივე, დეტალების გრაფიკულობა, პოზებისა და ჟესტების სიფაქიზე, პეიზაჟის რთული ფანტასტიკა. გამოჩენილი ოსტატები: ე. მოსკვიტინი, ს. პახირია, პ. ჩირინი და სხვ.

სტროგოვიჩი მიხეილ სოლომონის ძე დ. [17 (29). IX. 1894, პეტერბურგი, — 13. II. 1984, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი, იურისტი, სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტი, სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1939). სკკპ წევრი 1943-იდან. სსრკ მეცნ. აკად. სახელმწიფოსა და სამართ. ინტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი. პოლ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1959). ს-ის ძირითადი ნაშრომებია: სისხლის-სამართლებრივი დევნა საბჭ. სისხლის სამართლის პროცესში (1951); მატერ. ჭეშმარიტება და სასამართლო მტკიცებულებანი საბჭ. სისხლის სამართლის პროცესში (1955); საბჭ. სისხლის სამართლის პროცესის კურსი, ტტ. 1—2 (1968—70) და სხვ. დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

სტრომა (ბერძნ. stroma — საფენი, საგებელი) (ბიოლ.), 1. ადამიანისა და ცხოველთა ორგანოების (ჯირკვლების, საკვერცხის, ელენთის, ლიმფური კვანძების და მისთ.) ქსოვილური ელემენტების (უმეტესად — შემაერთებელი ქსოვილის) ბოჭკოების წნულების ერთობლიობა, რ-იც სხვა უჯრედებს უკავშირებს ერთმანეთს და საყრდენს უქმნის მათ; ზოგჯერ ს. ჰქვია თვით უჯრედში არსებულ ბადისებრ სტრუქტურებსაც (მაგ., *ერითროციტის* ს.); 2. ბევრი ჩანთიანი და უსრული სოკოს ჰიფების მჭიდრო ხლართი, რ-ზედაც განლაგებულია ნაყოფსხეულები ან კონიდიოფორები; 3. წყალმცენარეებისა და უმალესი მცენარეების პლასტიდების უფერული ცილოვანი საფუძველი, რ-შიც მოთავსებულია პიგმენტების შემცველი მემბრანების (ილაკოიდების) მკაცრად მოწესრიგებული სისტემა.

სტრომატოპორები (Stromatoporoidea), ნამარხი უხერხემლოების ჯგუფი. ს-ის სისტემატიკური ადგილი გაურკვეველია, პირობითად მიაკუთვნებენ ღრუბლებს ან ნაწლავღრუიანებს. არსებობდნენ ადრინდ. პალეოზოური ერიდან მეზოზოური ერის ბოლომდე. კოლონიური ორგანიზმებია. ჰქონდათ კიროვანი ჩონჩხი. აერთიანებდნენ 70 გვარს. ბინადრობდნენ ზღვების წყალმარჩხში. სილურულ და დევონურ ეპოქებში მარჯნის პოლიპებთან ერთად მონაწილეობდნენ მარჯნის რიფების წარმოქმნაში. მნიშვნელობა აქვთ სილურული და დევონური პერიოდების ნალექების სტრატიგრაფიისათვის.

სტრომბოლი (Stromboli), მოქმედი ვულკანი ლიპარის არქიპელაგზე, ტირენის ზღვაში, იტალიის ტერიტორიაზე. წარმოქმნის ამავე სახელწოდების კუნძულს, ფართ. 12,6 $კმ^2$. სიმაღლე 926 $მ$ (ზღვის ფსკერიდან დაახლ. 2700 $მ$). აქვს ერთი უფრო ძველი და დანგრეული ანდეზიტური კონუსი და თანამედროვე ბაზალტური წაკვეთილი კონუსი. ყოველ 10—20 წთში ს. რეგულარულად ისვრის ვულკ. ყუმბარებს, გამოჰყოფს ნათელ (უფერფლო) აირებს და წამით შუქურასავით ანათებს, ზოგჯერ აღინიშნება ძლიერი ამოფრქვევაც. უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა 1975.

სტრონგილატოზი ცხენისა, უმთავრესად ცხენის, აგრეთვე ვირისა და ჯორის დაავადება, რ-საც იწვევს ნაწლავების პარაზიტი — მრგვალი ჭია სტრონგილატები. დაავადება ყველგანაა გავრცელებული. ვითარდება შუალედური მასპინძლის გარეშე, განსაკუთრებით მოზარდულს ემართება. ცხოველს ეკარგება მადა, ერლვევა საჭმლის მონელების პროცესი და ჯანდაგდება. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: დეპელმინთიზაცია ფენოთიაზინით, ოთხქლორიანი ნახშირბადით და სხვ. რეკომენდებულია საძოვრის შეცვლა 5 — 7 დღეში ერთხელ და არაკეთილსაიმედო საძოვრის გამოყენების აღკვეთა 1 წლით.

ი. სადათერაშვილი.

სტრონგილოიდოზი, ქრონიკულად მიმდინარე პელმინთოზი, რ-საც იწვევს ქონდარა ბეწვა (stongyloides stercoralis). დაავადება გავრცელებულია უპირატესად ტროპ. და სუბტროპ. ქვეყნებში. საქართველოში პირველად გამოავლინეს და აღწერეს ნ. ყიფშიძემ და ი. ხათრიძემ 1924. ადამიანის ავადდება ნიადაგიდან ინვაზიური მატლის ორგანიზმში (კანის გზით) შეჭრის ან გაბინძურებული საკვებისა და წყლის მიღების შედეგად. მატლი სწრაფად იჭრება სისხლძარღვებში, ხვდება ფილტვებში, შემდეგ ნაწლავებში, სადაც გადაიქცევა სქესობრივად მომწიფებულ პარაზიტად. ყაბზობის დროს შეიძლება მოხდეს ავტოინვაზია. ს-თვის დამახასიათებელია უმადობა, გულისრევა, ერუ ხასიათის ტკივილი მარჯვ. ფერდქვეშა არეში, ყაბზობა, იშვიათად ფაღარათი, დროდადრო ვლინდება ალერგიული გამონაყარი კანზე. სისხლში უმეტეს შემთხვევაში აღინიშნება ეოზინოფილია. დიაგნოზს სვამენ ახლად გამოყოფილ განავალში ან ნაღველში მატლის აღმოჩენის საფუძველზე. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: დითიაზანინი (კაფსულებში 10 დღის განმავლობაში) ან თიაბენდაზოლი (მინთეზოლთან ერთად 2 დღის განმავლობაში). პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: უმი ბოსტნეულისა და ხილის კარგად გარეცხვა; საკვები პროდუქტების დაცვა ბუზებისა და მწერებისაგან; დასახლ. ადგილების სანიტ. კეთილმოწყობა. *ი. თოფურია.*

სტრონციანიტი [დაბა სტრონშიანის (Strontian, შოტლანდია), სახელწოდების მიხედვით], კარბონატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Sr[CO_3]$. მინარევებია Ca, Ba, Pb. კრისტალდება რომბულ სინგონიაში. აგრეგატები მარცვლოვანი აქვს, კრისტალები—ნემსისებრი. თეთრი ან ღია ყვითელი ფერისაა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3,5—4; სიმკვრივე 3600—3800 $კგ/მ^3$. წარმოიქმნება ჰიდროთერმულ ძარღვებსა და დანალექ კარბონატულ-თიხიან ქანებში. სტრონციუმის ერთ-ერთი მადანია.

სტრონციუმი (Strontium), Sr, ელემენტთა პერიოდული სისტემის II ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 38, ატ. მასა 87,62, $t_{დნ}$ 770°C, $t_{დუღ}$ 1383°C, სიმკვრივე (α - ფორმის ს-ისა) 2630 $კგ/მ^3$ (20°C), მოვერცხლისფრო-თეთრი, რბილი, პლასტ. ლითონი. ბუნებრივი ს. შედგება ოთხი მდგრადი იზოტოპისაგან: ^{84}Sr, ^{86}Sr, ^{87}Sr და ^{88}Sr. შედარებით გავრცელებულია ^{88}Sr (82,56%). ხელოვნურად მიღებულია ს-ის რადიოაქტ. იზოტოპები, რ-თა მასური რიცხვები 80-იდან 97-მდეა, მ. შ. ^{90}Sr ($T_{1/2}$ = =27,7 წ).1790 შოტ. ექიმმა ა. კროფორდმა დასახლ. პუნქტ სტრონშიანთან (შოტლანდია) ახლოს ნაპოვნი მინერალის კვლევისას აღმოაჩინა, რომ ის შეიცავს ადრე უცნობ „მიწას“, რ-საც სტრონციანო უწოდა, მოგვიანებით დადგინდა, რომ ეს



ა. სტრინდბერგი.



სტროგანოვის სკოლა. პ. ჩირინი. „უდაბნოს ანგელოზი იოანე წინამორბედი“. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



ა ბ

სტროფანტუსი. სტროფანტუსი კომბე (Strophanthus kombe): ა—ყვავილებიანი ტოტი; ბ—ნაყოფი; გ—თესლი საფრენით.

იყო ს-ის ჟანგი SrO. 1808 ჰ. *დეივიმ* მიიღო ს-ის ამალგამა.

დედამიწის ქერქში ს-ის საშ. შემცველობა მასის მიხედვით $3,4 \cdot 10^{-2}$%-ია. ს. კალციუმის თანამგზავრია. ცნობილია ს-ის დაახლ. 30 მინერალი, რ-თაგან მნიშვნელოვანია celestinი და სტრონციანიტი. ნაერთებში ს-ის ჟანგვის ხარისხია +2, მიეკუთვნება *ტუტემიწა ლითონებს*; ქიმ. თვისებებით ემსგავსება კალციუმსა და ბარიუმს; ჟანგბადთან ჩვეულებრივ ტემპ-რაზე წარმოქმნის ჟანგს SrO (მორუხო-თეთრი ფხვნილი), რ-იც ჰაერზე ადვილად გარდაიქმნება კარბონატად $SrCO_3$; წყალთან ადვილად შედის რეაქციაში და წარმოქმნის ჰიდროჟანგს $Sr(OH)_2$—ძლიერ ფუძეს. წყალს ს. შლის ენერგიულად და წარმოქმნის ჰიდროჟანგს; მაღალ ტემპ-რაზე უერთდება წყალბადს, აზოტს, ფოსფორს, გოგირდსა და ჰალოგენებს, ლითონებთან წარმოქმნის ლითონთშორის ნაერთებს. ს-ის მარილთაგან წყალში კარგად იხსნება ჰალოგენიდები, ნიტრატი, აცეტატი, ქლორატი; ძნელად ხსნადია კარბონატი, სულფატი, ოქსალატი და ფოსფატი. სულფიდი SrS თანდათან ჰიდროლიზდება წყლით; ნიტრიდი Sr_3N_2 ადვილად იშლება წყლით.

ს-ს ღებულობენ ს-ის ჟანგის ალუმინთერმიით. ს-ის პრაქტიკული გამოყენების სფერო მცირეა; იყენებენ პიროტექნიკაში, ლუმინოფორებისა და ფოტოელემენტების დასამზადებლად და სხვ.

ს. ორგანიზმში. ს. ცხოველებრს, მცენარეებისა და მიკროორგანიზმებრს შემადგენელი ნაწილია. ცხოველები ს-ს ღებულობენ წყლისა და საკვებისგან. ს. შეიწოვება წვრილი ნაწლავებით და ძირითადად გამოიყოფა მსხვილი ნაწლავით. ორგანიზმში ს-ის ძირითადი დეპოა ძვლის ქსოვილი, რ-ის ნაცარი ს-ს შეიცავს დაახლ. 0,02%-ს, ხოლო სხვა ქსოვილები დაახლ. 0,0005%-ს. ს-ს ორგანიზმში დაგროვების უნარი აქვს, იგი ჩაანაცვლებს Ca-ს, რაც ძვლების სიმყიფის გადიდებას იწვევს. ს-ით მდიდარ რ-ნებში შეინიშნება ე. წ. უროვის დაავადება.

ს-ის ხელოვნურ იზოტოპებს შორის ერთ-ერთი მისი რადიონუკლიდი ^{90}Sr—ბიოსფეროს რადიოაქტიური დაბინძურების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ^{90}Sr მცენარეებში შეიძლება შევიდეს პირდაპირ ფოთლების უშუალო დაბინძურებისას ანდა ნიადაგიდან ფესვების საშუალებით. მცენარეებში ^{90}Sr დაგროვებაზე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის ტიპი, მისი ტენიანობა, pH, Ca-ის შემცველობა, ორგ. ნივთიერებები და სხვ. ^{90}Sr-ის ბიოლ. მოქმედება დაკავშირებულია ორგანიზმში მისი განაწილების ხასიათთან (ძვლებში დაგროვებასთან) და დამოკიდებულია ^{90}Sr და მისი შვილური რადიოიზოტოპ ^{90}Y β-გამოსხივების დოზაზე. ^{90}Sr-ის უმცირესი რაოდენობის ყოველდღიური შეღწევისა და ძვლის ქსოვილის განუწყვეტელი დასხივების შედეგად შეიძლება განვითარდეს ლეკემია და ძვლის კიბო. ატმოსფეროში, კოსმოსსა და წყლის ქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვამ (იხ. *ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება*) განაპირობა ^{90}Sr-გან ატმოსფეროს თითქმის მთლიანი გაწმენდა და ნიადაგში მისი მოძრავი ფორმის შემცირება.



ბ. სტროცი. „მზარეული ქალი". გალერეა პალაცო როსი, გენუა.

სტრონციუმის მეთოდი, რუბიდიუმ-სტრონციუმის მეთოდი, ქანებისა და მინერალების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდი. ეფუძნება რუბიდიუმშემცველ ქანებსა და მინერალებში ს-ის სტაბილური იზოტოპის $^{87}_{38}Sr$-ის დაგროვებას $^{87}_{37}Rb$-ის რადიოაქტიური დაშლის შედეგად, რ-იც მიმდინარეობს $^{87}_{37}Rb \rightarrow {}^{87}_{38}Sr + \beta^- + \bar{\nu}$ ბირთვული რეაქციის მიხედვით.

სტროფანტინი, სამკურნალო პრეპარატი *გულ-სისხლძარღვთა საშუალებათა* ჯგუფისა: სტროფანტუსის თესლის გლიკოზიდი. იყენებენ ხსნარის სახით (უმეტესად შიგაგეწურად) გულის უკმარისობის დროს.

სტროფანტუსი (Strophanthus), მცენარეთა გვარი ქენდირისებრთა ოჯახისა. მცოცავი ლიანებია, იშვიათად ბუჩქები. 50—60 სახეობა იზრდება ტროპ. აფრიკაში, მადაგასკარზე, სამხრ. და სამხრ.-აღმ. აზიაში. ს-ის თესლი შეიცავს შხამიან გლიკოზიდებს — სტროფანტინებს, რ-საც იყენებენ მედიცინაში.

სტროფი (ბერძნ. strophē, სიტყვასიტყვით — მობრუნება), ლექსში გარკვეული ნიშნებით გაერთიანებული რამდენიმე სტრიქონი (ტაეპი); ლექსის რთული კომპოზიციური წევრი, ტაეპთა რიტმულ-ინტონაციური და სინტაქსურ-ინტონაციური კავშირი (ძველქართულად — მუხლი, ახალქართულად — ხანა), რ-იც, ჩვეულებრივ, განმეორებადია. ს-ის ტიპოლოგიური ნიშნებია ტაეპების გამამთლიანებელი თემატური მომენტი, მეტრული ერთნაირობა, სილაბიზმი და რითმა.

ს. ძვ. ბერძნ. საგუნდო ლირიკაში ალმოცენდა; აღნიშნავდა პოეტური ტექსტის მონაკვეთს, რ-საც გუნდი მუსლელობის დროს ორი შემობრუნებით ასრულებდა.

ცნობილია ს-ის მრავალნაირი ტიპი. ანტ. (ძვ. ბერძნ.-ლათ.) ს-ები, მეტრული სქემის თვალსაზრისით, ძირითადად ლოგაედური (ნაირტერფიანი) ტაეპებისაგან შედგებოდა (ალკეოსის ს., საფოს ს., ასკლეპიადეს ს.). შუა საუკუნეებში სტროფულ სახეობათა მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა ტრუბადურების ლირიკა.

ს. რითმიანიც შეიძლება იყოს და ურითმოც. ანტ. ს. ურითმოდ იწერებოდა, რითმა არც ბიზანტ. წყობილსიტყვაობაში ყოფილა ლექსის აუცილებელი კომპონენტი. დას. ევრ. პოეზიაში ს. უპირატესად რითმიანია, ასევე არაბულშიც. კლასიკური სპარს. ლექსი უეჭველად შეიცავს რითმას.

სალექსო სტრიქონთა შედგენილობის მხრივ ს. შეიძლება იყოს ორტაეპოვანი (ძვ. ბერძნ. ელეგიური დისტიქი, აღმ. ღაზალი, მასნავი, კასიდა, კიტა, ქართ. მრჩობლედი), სამტაეპოვანი (იტალ.-ფრანგ. წარმოშობის ტერცინა, ტერცეტი, ვილანელი...), ოთხტაეპოვანი (რითმული კონფიგურაციებით: abab ან aabb ან abba), ექვსტაეპოვანი (მაგ., „მცირე სექსტინა" სქემით: ababab ან ababcc), რვატაეპოვანი (ოქტავა, სიცილიანა, ტრიოლეტი), ცხრატაეპოვანი (ნონა, სპენსერის ს.), ათტაეპოვანი (დეციმა, ოდის ს.), ონეგინის ს. (AbAbccdd EffE gg); სტროფულ კომპოზიციებს განეკუთვნება აგრეთვე რთული სტროფ-ლექსის სახეობანი; *რონდელი* (ცამეტმარცვლიანი), *სონეტი* (თოთხმეტმარცვლიანი), *რონდო* (თხუთმეტმარცვლიანი) და სხვ.

არსებობს თანაზომიერი ანუ იზომეტრული ს., რ-იც თანაბარმარცვლიან ტაეპებს შეიცავს, და ჰეტერომეტრული ს., რ-იც უთანაბრო მარცვალთა მქონე ტაეპებისაგან შედგება. ჰეტერომეტრიკაში გამოიყოფა ს-ის განსაკუთრებული სახე—მრავალსაზომიანი ანუ პოლიმეტრული ს., რ-ის შექმნაშიც სამი ან სამზე მეტი (მარცვალთა ოდენობის მხრივ განსხვავებული) საზომი მონაწილეობს.

ლიტ. იხ. სტ-თან ლექსთწყობა.

რ. ბერიძე.

სტროფიკა, 1. ლექსთმცოდნეობის დარგი, რ-ის სწავლობს *სტროფს*. 2. სალიტერატურო სკოლის, პოეტის, ცალკეული ნაწარმოების სტროფული ფორმების ერთობლიობა (მაგ., ტრუბადურების ს., რუსთაველის ს., გ. ტაბიძის „კოსმიური ორკესტრის" ს.).

სტროცი (Strozzi). [მეტსახელი — კაპუჩინო (Cappuccino), აგრეთვე პრეტე ჯენოველე (Prete Genovese)] ბერნარდო (1581, გენუა, — 2. VIII. 1644, ვენეცია), იტალიელი ფერმწერი. სწავლობდა გენუაში პ. სორისთან (1595—97). პ. რუბენსის გავლენით ეზიარა ბაროკოს ფერწერას. შეისწავლა აგრეთვე მ. კარავაჯოს ნაწარმოებები. 1597-იდან კაპუცინელი ბერი. 1631 მონასტრიდან ვენეციაში გაიქცა. განიცადა პ. ვერონეზეს, დ. ფეტის, ი. ლისის გავლენა. ს-ის საუკეთესო ნაწარმოებები („მზარეული ქალი", გალერეა პალაცო როსო, გენუა) გამოირჩევა წერის ფართო მანერით, ნაზი კოლორიტით, ცხოვრებისეული სიმართლით.

სტრჟელნიცკი (Strzelnicki) ვლადისლავ (1820—1846), პოლონელი პოეტი. 1840 ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის კავკასიაში გადმოასახლეს. მუშაობდა თბილისში. სამსახურში პრაპორშჩიკის ჩინით. ს-ს შემოქმედებაში მნიშვნელოვანია კავკ. კერძოდ, საქართველოს თემა. 1860 პოეტის ძმამ ჟიტომირში გამოსცა ს-ს ნაწარმოებები 4 ტომად პოლ. ენაზე. მნიშვნელოვანია მოთხრობები „მაჰმუდეკ" და „ორი უზდენი", აგრეთვე „ლექსები" და „კავკასიის ჩანახატები".

სტრჟელჩიკი ვლადისლავ იგნატის ძე (დ. 31. I. 1921, პეტროგრადი), საბჭ. მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1974). 1947 დაამთავრა ლენინგრ. დიდ დრამ. თეატრთან არსებული სკოლა-სტუდია, თეატრ. დასში შევიდა 1940. 1940—46 საბჭ. არმიის რიგებში იყო. საუკეთესო როლები: განია („იდიოტი" დოსტოევსკის მიხედვით), ციგანოვი (გორკის „ბარბაროსები"), კულიგინი (ჩეხოვის „სამი და"), თავადი (ცაგარლის „ხანუმა"). 1941-იდან იღებენ კინოში. როლები: გენერალი გოტბურგი („თქვენ ახლა როგორ დაგარქვათ?", 1965), ნაპოლეონი („ომი და მშვიდობა", 1966), ანტონოვი („განთავისუფლება", 1971) და სხვ. 1959-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას. რსფსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971).

სტრუვე ვასილი ვასილის ძე [21. I (2. II). 1889, პეტერბურგი, — 15. IX. 1965, ლენინგრადი], საბჭ. ისტორიკოსი აღმოსავლეთმცოდნე, საბჭ. ძველაღმოსავლური მეცნიერული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935), ისტ. მეცნ. დოქტორი (1934, დაუცველად). 1911 დაამთავრა პეტერბ. უნტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა ლენინგრ. უნ-ტში (1916-იდან), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის დირექტორად (1941—50), ამავე ინ-ტის განყ-ბის გამგედ (1959—65). ეგვიპტოლოგთა საერთაშ. ასოციაციის კომიტეტის წევრი (კოპენჰაგენი, 1947-იდან), პრაღის აკად. საპატიო წევრი, გერმ. არქეოლ. საზ-ბის წევრ-კორესპონდენტი, ისტ. მეცნ. საერთაშ. საზ-ბის წევრ-კორესპონდენტი, სსრკ ისტორიკოსთა ეროვნ. კომიტეტის წევრი. შექმნა მნიშვნელოვანი მეცნ. ნაშრომები ეგვიპტოლოგიაში, ასირიოლოგიასა და ძველაღმოსავლურ მეცნ. სხვა დარგებში. ავტორია ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთი პირველი საბჭ. სახელმძღვანელოსი (1941). წამოაყენა დებულება

მველაღმოსავლურ საზ-ბათა მონათმფლობელური ხასიათის შესახებ (1934). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ლიტ.: Милибанд С. Д., Биобиблиографический словарь советских востоковедов, М., 1977.

სტრუვე ვასილი იაკობის ძე [4 (15). IV. 1793, ალტონა (გერმანია), — 11 (23). XI. 1864, პეტერბურგი], რუსი ასტრონომი და გეოდეზისტი. პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1832). 1810 დაამთავრა დერპტის (ტარტუს) უნ-ტი. 1818—39 დერპტის, 1839—62 კი პულკოვოს ობსერვ. დირექტორი. ფუნდამენტური ასტრომეტრიის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომებით, აგრეთვე ვარსკვლავთა კატალოგების შედგენით სახელი გაუთქვა პულკოვოს ობსერვატორიას, რ-ის დაარსებასა და აღჭურვაში საგრძნობი წვლილი შეიტანა. ჩაატარა ორჯერად ვარსკვლავთა ვრცელი გამოკვლევა (შედეგები გადმოსცა შრომებში 1837 და 1852). 1822 მიახლოებით შეაფასა 27 ვარსკვლავის პარალაქსი, 1837 კი ზუსტად განსაზღვრა ქნარის α ვარსკვლავის პარალაქსი. უწელმძღვანელა ასტრონ. მუშმივათა სისტემის შემუშავებას, რ-იც მთელ მსოფლიოში აღიარეს და ყოველგვარი ცვლილების გარეშე იყენებდნენ 50 წ. განმავლობაში. განსაზღვრა აბერაციის მუდმივა. შემოიღო ვარსკვლავთა სტატისტიკის ინტეგრ. განტოლება, დაამტკიცა სინათლის კოსმ. შთანთქმის არსებობა და დაკვირვებებში მისი გათვალისწინების ხერხიც მიუთითა, აღმოაჩინა ვარსკვლავთა კონცენტრაცია *ირმის ნახტომის* შთაყარი სიბრტყის მახლობლად. იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი მერიდიანის 25°20′-იანი რკალის გაზომვის სამუშაოებისა, რ-ის შედეგები დაიბეჭდა 1856—61. საზღვარგარეთის მრავალი აკად. და საზ-ბის საპატიო წევრი.

თხზ.: Этюды звездной астрономии, М., 1953 (ბიბლიოგრ.).

ლიტ.: Новокшанова (Соколовская) З. К., Василий Яковлевич Струве, М., 1964.

სტრუვე ლიუდვიგ ოტოს ძე [20. X (1. XI). 1858, პულკოვო, — 4. XI. 1920, სიმფეროპოლი], რუსი ასტრონომი. ო. ვ. *სტრუვეს* შვილი. 1880 დაამთავრა დერპტის (ტარტუს) უნ-ტი. 1886—94 დამკვირვებელი ასტრონომი დერპტის ობსერვ., 1897-იდან ხარკოვის უნ-ტის პროფესორი, 1898-იდან კი ობსერვატორიის დირექტორი იქვე. იკვლევდა ორჯერად ვარსკვლავებს, მთვარის რადიუსის განსაზღვრის მიზნით აკვირდებოდა მთვარის მიერ ვარსკვლავთა დაფარვას.

სტრუვე (Struve) ოტო (12. VIII. 1897, ხარკოვი, — 6. IV. 1963, ბერკლი, კალიფორნია), ამერიკელი ასტრონომი. ლ. *სტრუვეს* შვილი. 1919 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტი. 1920 გადასახლდა აშშ-ში. 1921-იდან ასისტენტი, 1932-იდან პროფესორი ჩიკაგოს უნ-ტში, 1932—47 იერკისისა და მაკდონალდის ობსერვატორიების დირექტორი. 1959—62 აშშ-ის გრინ-ბენკის ეროვნ. რადიოასტრონ. ობსერვ. დირექტორი. 1948—52 საერთაშ. ასტრონ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, 1952—55 პრეზიდენტი. ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1952). იკვლევდა გარორჩულ ვარსკვლავთა სპექტრებს, ვარსკვლავთშორის აირს და იონიზებული წყალბადის არეებს, საზღვრავდა ვარსკვლავთა სხივურ სიჩქარეებს და სწავლობდა მათ ბრუნვას, წამოაყენა მოსაზრება ვარსკვლავთა ევოლუციაზე.

თხზ.: Эволюция звезд. Данные наблюдения и их истолкование, М., 1954; Элементарная астрономия, 2 изд., М., 1967 (თანაავტ.: Б. Линдс и Э. Пилланс).

სტრუვე ოტო ვასილის ძე [25. IV (7. V). 1819, ტარტუ, — 1 (14). IV. 1905, კარლსრუე], რუსი ასტრონომი, პეტერბ. მეცნ. აკად. წევრი (1852—89). ვ. *სტრუვეს* შვილი. 1839-იდან დირექტორის თანაშემწე, 1862—89 კი დირექტორი პულკოვოს ობსერვატორიისა. 1895 გერმანიაში დასახლდა. აკვირდებოდა პლანეტებს, მათ თანამგზავრებს, კომეტებსა და ნისლეულებს. აღმოაჩინა 500-ზე მეტი ორჯერადი ვარსკვლავი. 1841 განსაზღვრა პრეცესიის მუდმივა.

ლიტ.: Иванов А. А., О. В. Струве. [Некролог], «Известия Русского астрономического общества», 1905, в. 11, №5—6.

სტრუვე პეტრე ბერნარდის ძე (26. I. 1870, პერმი, — 26. II. 1944, პარიზი), რუსი პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი, ფილოსოფოსი, „*ლეგალური მარქსიზმის*“ მამამთავარი. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1895). 90-იან წლებში რედაქტორობდა „ლეგალური მარქსისტების“ ჟურნალებს „ნოვოე სლოვო“ და „ნაჩალო“. 1896 მონაწილეობდა II ინტერნაციონალის IV კონგრესში, ხოლო რსდმპ I ყრილობის (1898) შემდეგ — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტის“ შედგენაში. მალე ს. გაემიჯნა „მანიფესტს“ და რევ. მარქსიზმის, განსაკუთრებით სოციალ. რევ. და პროლეტ. დიქტატურის მოძღვრების მოწინააღმდეგე გახდა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოდიოდა ბურჟ. ლიბერალიზმის პოზიციებიდან, მოითხოვდა ბურჟ.-დემოკრ. თავისუფლებას. 1902-იდან რედაქტორობდა ჟურნ. „ოსვობოჟდენიე“, 1903-იდან „განთავისუფლების კავშირის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1905-იდან კადეტების პარტიის ცკ-ის წევრი იყო, მის მემარჯვენე ფრთას ხელმძღვანელობდა. 1907 II სახელმწ. სათათბიროს დეპუტატი იყო, რედაქტორობდა ჟურნ. „რუსსკაია მისლს“. 1917 ოქტ. რევოლუციას მტრულად შეხვდა. სამოქალაქო ომის (1918 — 20) დროს თანამშრომლობდა კონტრრევოლუციონერებთან (დენიკინი, ვრანგელი). შემდეგ ემიგრაციაში წავიდა პრაღაში; პარიზში კონტრრევ. გამოცემებს რედაქტორობდა.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ., 5 გამოც., მე-4, ტ. 1.

სტრუმა, სტრიმონი (ბერძნ. Strymōn), მდინარე ბულგარეთსა და საბერძნეთში. სიგრძე 415 *კმ* (აქედან ბულგარეთში 290 *კმ*), აუზის ფართ. დაახლ. 17 ათ. *კმ*². სათავე აქვს ვიტოშის მასივის სამხრ.-დას. კალთებზე. ერთვის ეგეოსის ზღვის სტრიმონის ყურეს. წყალუხვია თებ.-ივნ-ში, წყალმცირეა აგვ.-სექტ-ში. წყლის საშ. ხარჯი ბულგ. საზღვართან ახლოს 80 $მ^3/წმ$, მაქს. დაახლ. 500 $მ^3/წმ$. იყენებენ სარწყავად. ს-ის ხეობაშია ქ-ები: კიუსტენდილი, ბლაგოევგრადი (ბულგარეთი), სერე (საბერძნეთი).

სტრუმილინი, სტრუმილო პეტრაშკევიჩი სტანისლავ გუსტავის ძე [17 (29). I. 1877, სოფ. დაშკოვცი, ახლანდ. ლიტინსკის რ-ნი, ვინიცის ოლქი,— 25. I. 1974, მოსკოვი], საბჭ. ეკონომისტი და სტატისტიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1931), სოციალ. შრომის გმირი (1967). სკკპ წევრი 1923-იდან. 1897-იდან დაიწყო სამეცნ.-პუბლიც. მოღვაწეობა. 1921 — 37 და 1943 — 51 მუშაობდა სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტში, ამასთან ერთდ ეწეოდა სამეცნ.-პედ. მუშაობას მოსკ., სახელმწ. უნ-ტში (1921—23), გ. პლეხანოვის სახელობის სახ. მეურნ. ინ-ტში (1929—30), მოსკ. სახელმწ. ეკონ. ინ-ტში (1931—50). 1948—52 სსრკ მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტის სახ. მეურნ. ისტ. სექტორის გამგეა. 1948—74 სკკპ ცკ-თან არსებულ საზ. მეცნ. აკადემიაში სამეცნ.-პედ. სამუშაოზეა. ს. ავტორია 700-ზე მეტი მეცნ. შრომისა.

მისი ძირითადი შრომები ეხება ეკონ., სტატისტ., სახ. მეურნ. მართვის, დაგეგმვის, დემოგრ. პროგნოზირების, სოციალიზმის პოლიტ. ეკონ., ეკონ. ისტორიის, მეცნ. კომუნიზმისა და სხვა საკითხებს. ცნობილია ს-ის შრომის ნაყოფიერების ინდექსის აგების ერთ-ერთი მეთოდი, ე. წ. „სტრუმილინის ინდექსი“. მისი ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველად დამუშავდა მატერ. ბალანსების სისტემა.

სსრკ სახელმწ. პრემია (1942), ლენინური პრემია (1958). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

თხზ.: Изб. произв., т. 1— 5, М., 1963—65; История черной металлургии в СССР, М., 1967, Общественный прогресс в СССР за 50 лет, «Вопросы экономики», 1969, № 11; Очерки экономической истории России и СССР, М., 1966.

სტრუმინსკი ვლადიმერ ვასილის ძე [დ. 16 (29). IV. 1914, ტრენბურგი], საბჭ. მეცნიერი აეროდინამიკის, საფრენი აპარატებისა და თვითმფრინავთმშენებლობის თეორიული საფუძვლების დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1966). 1938 დაამთავრა მოსკ. სახ. უნ-ტი. მუშაობდა ნ. ჟუკოვსკის სახ. ცენტრ. აეროჰიდროდინამ. ინ-ტში. 1966—71 იყო სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის თეორ. და გამოყენებითი მექან. ინ-ტის დირექტორი. 1971-იდან სსრკ მეცნ. აკად. მექან. პრობლემების ინ-ტის ფიზ. აერომექან. ლაბორ. გამგეა. შეიმუშავა სამგანზომილებიანი სასაზღვრო შრისა და ფრთის გრიგალური თეორია, რ-ის მეშვეობით გამოვლინდა ისრისებრი და სამკუთხა ფრთების გარსშემოდენის ძირითადი კანონები. ამ და სხვა გამოკვლევების საფუძველზე გადალახულ იქნა ბგერითი ბარიერი და შესაძლებელი გახდა ზებგერითი სიჩქარეებით ფრენა. მეცნ. შრომები აქვს აგრეთვე მდგრადობის არაწრფივი თეორიის, ტურბულენტობის დინამ. თეორიის, აირების კინეტიკური თეორიის დარგში და სხვ. სსრკ სახ. პრემია (1947, 1948), ლენინური პრემია (1961), ნ. ჟუკოვსკის სახ. I პრემია და ოქროს მედალი (1947). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და 2 სხვა ორდენით.



ვ. ვ. სტრუვე.

თხზ.: Влияние диффузионной скорости на течение газовых смесей, «Прикладная математика и механика», 1974, т. 38, № 2; Скольжение крыла в вязкой жидкости, «Доклады АН СССР», 1946, т. 54, № 7.

სტრუნინო, ქალაქი (1938-იდან) რსფსრ ვლადიმირის ოლქში. რკინიგზის სადგური მოსკოვ—ალექსანდროვის ხაზზე. ბამბეულის კომბინატი.

სტრუქტურა (ლათ. structura — აღნაგობა, განლაგება, წესრიგი), ობიექტის მყარი კავშირების ერთობლიობა, რ-იც უზრუნველყოფს ობიექტის მთლიანობასა და თავისთავის მიმართ იგივეობას, მისი ძირითადი თვისებების შენარჩუნებას სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ცვლილებების დროს. ცნება „ს.“ მეცნ. და ფილოს. ლიტ-რაში დიდი ხანია გამოიყენება ფორმის ცნების განსაზღვრის ერთ-ერთ ხერხად (ფორმა, როგორც შინაარსის ს., ორგანიზაცია). XX ს-ში სტრუქტურულ მიმართებათა ანალიზმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ენის, ეთნ. ერთობის, ლიტ-რისა და ხელოვნ. ნაწარმოებთა და სხვ. შესწავლაში (იხ. *სტრუქტურალიზმი*).



ვ. ი. სტრუვე.

ლიტ.: Свидерский В. И., О диалектике элементов и структуры в объективном мире и в познании, М., 1962.

სტრუქტურა, გისოსი (მათ.), მნიშვნელოვანი ალგებრული ცნება; ს. ეწოდება S არაცარიელ სიმრავლეს, რ-ის ელემენტებისათვის განსაზღვრულია გაერთიანებისა და თანაკვეთის ოპერაციები, რ-ებსაც აღნიშნავენ $\cup$ და $\cap$ სიმბოლოებით, ე. ი. S სიმრავლის ყოველ ორ a და b ელემენტს ცალსახად ეთანადება S-ის ელემენტები $a \cup b$ და $a \cap b$. ამასთან, ეს ოპერაციები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს (ს-ის აქსიომები).

I. ასოციაციურობის: $(a \cup b) \cup c = a \cup (b \cup c)$; $(a \cap b) \cap c = a \cap (b \cap c)$;

II. კომუტაციურობის: $a \cup b = b \cup a$; $a \cap b = b \cap a$;



ვ. სტრუმინსკი.

III. აბსორბციის: $(a \cup b) \cap a = a$; $(a \cap b) \cup a = a$;

ს-ის მაგალითები: 1. დადებით მთელ რიცხვთა სიმრავლე უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის ოპერაციებითურთ; 2. ნებისმიერი სიმრავლის ყველა ქვესიმრავლის სიმრავლე გაერთიანებისა და თანაკვეთის ოპერაციებითურთ; 3. ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე ორ მოცემულ რიცხვს შორის უდიდესისა და უმცირესის აღების ოპერაციებითურთ.

დაწვრილებითაა შესწავლილი ს-ის სხვადასხვა სპეც. ტიპი, ე. ი. ისეთი ს-ები, რ-ებიც დამატებით პირობებს აკმაყოფილებენ (მაგ., დისტრიბუციული ს., მოდულარული, ანუ დედეკინდის ს., დამატებიანი ს. და სხვ.). ს-ის ფრიად მნიშვნელოვანი კერძო შემთხვევაა ბულის ალგებრები, ე. ი. დისტრიბუციული სტრუქტურები ერთიანითა და ნულით, რ-ებიც შეიცავენ ყოველი ელემენტის დამატებას. ბულის ალგებრებს დიდი მნიშვნელობა აქვს მათ. ლოგიკისა და ალბათობის თეორიისათვის. სხვა ტიპების ს. გამოიყენება სიმრავლეთა თეორიაში, ტოპოლოგიასა და ფუნქციონალურ ანალიზში.

ს-ში შეიძლება ელემენტების ნაწილობრივი დალაგება (იხ. *სიმრავლეთა თეორია*) ისე, რომ ეს დალაგება შეთანხმებული იყოს ოპერაციებთან ს-ში. ამით მტკიცდება ს-თა თეორიისა და ნაწილობრივად დალაგებულ სიმრავლეთა თეორიის ტოლფასობა.

ს-ის ცნება შემოღებულ იქნა XIX ს. შუა წლებში. ყველაზე უფრო ნათლად იგი განზილული იყო რ. *დედეკინდის* შრომებში.

ლიტ.: Биркгоф Г., Теория структур, пер. с англ., М., 1952.

სტრუქტურა ლიტერატურული ნაწარმოებისა, მხატვრული ნაწარმოების აგებულება, მისი შინაგანი და გარეგანი ორგანიზაცია, მისი შემადგენელი ელემენტების შეკავშირების ხერხი. ს-ს აქვს 2 გაგება: კონკრეტული, რ-იც მოიცავს მოცემული ნაწარმოების ყველა კონკრ. გამოვლინებას, და ზოგადი, რ-შიც შედის მხატვრული ნაწარმოების აგებულების სქემა. დღევანდელი პოეტიკის თვალსაზრისით ს. შეიცავს: 1) იდეურთემატური 2 პლანის (ინტელექტუალურისა და ესთეტ.-ემოციურის) შემცველ ბირთვს; 2) სიტყვიერ ქსოვილს; 3) შიდა ფორმას და 4) გარე ფორმას. ს-ის ელემენტთა შეფარდება იცვლება ჟანრების, სკოლების, ეპოქების მიხედვით.

სტრუქტურა ქანისა, განპირობებულია მისი შემადგენელი ნაწილების (მინერალთა მარცვლების, ქანის ნატეხებისა ან ორგანიზმების ნაშთების) ზომით, ფორმით, მინერალების კრისტალურ ფორმათა განვითარების ხარისხით, აგრეთვე შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან დამოკიდებულებით.

მაგმური ქანების ს. დამოკიდებულია მაგმის კრისტალიზაციის ხანგრძლივობაზე. ინტრუზიულ მაგმურ ქანებს ახასიათებს სრულკრისტალური ს. (ქანი მთლიანად დაკრისტალებულია), რაც განპირობებულია სიღრმით პირობებში მაგმის ნელი დაკრისტალებით. დაკრისტალების სიჩქარე მოქმედებს მინერალთა ფორმის სრულყოფაზე. ამის მიხედვით ქანში განასხვავებენ იდიომორფულ (შემოფარგლულია კრისტალოგრაფიული ფორმებით), ქსენომორფულ (მინერალის მარცვალი შემოფარგლულია შემთხვევითი სიბრტყეებით) და ჰიპიდიომორფულ (ნახევრად იდიომორფულ) მინერალებს. ქანის ამგებ მინერალთა უმრავლესობის იდიომორფულობის შემთხვევაში ს-ს ეწოდება პანიდიომორფული ს.; თუ ქანში არის იდიომორფიზმის სხვადასხვა ხარისხის მქონე მინერალები— ჰიპიდიომორფული ს. სწრაფი კრისტალიზაციის გამო ეფუზიურ (ეულკ.) ქანებში ვითარდება პორფირული ან აფანიტური ს-ები. პორფირულ ს-ში კრისტალიზაციის საწყის სტადიაში გამოიყოფა დიდი კრისტალები, რ-ებიც განლაგებულია წვრილკრისტალურ ან მინისებრ ძირითად მასაში; აფანიტური ს-ის ქანები მხოლოდ წვრილკრისტალური ან მინისებრი მასისგან შედგება.

დანალექი ქანების ს-ების ტიპებს განასაზღვრავს მათი გენეზისი. კლასტური დანალექი ქანების ს-ს განასაზღვრავს ამგები მინერალების ნატეხის ფორმა, ნატეხის დამრგვალების ხარისხი, ზომა და შემაცემენტებელი ნივთიერების რაოდენობა; ორგანოგენული დანალექი ქანების ს-ს — ქანის ამგები ორგანიზმების განსაზღვრული ნაშთების ს.; ქემოგენური დანალექი ქანების ს-ს — ამგებ მინერალთა მარცვლების ზომა.

მეტამორფული ქანების ს-ებს ზოგადად კრისტალობლასტურს უწოდებენ, ვინაიდან ეს ქანები შედგება ახლად წარმოქმნილი მინერალების კრისტალური მარცვლების — ბლასტებისაგან. ეს ს-ები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა — თანაბარმარცვლოვან (ჰომეობლასტურ) და არათანაბარმარცვლოვან (ჰეტერობლასტურ) ს-ებად. უკანასკნელის კერძო შემთხვევაა პორფირობლასტური ს. (ქანის წვრილმარცვლოვან მასაში განლაგებულია დიდი კრისტალები — პორფირობლასტები). თუ ქანში შემორჩენილია საწყისი ქანის ს-ის რელიქტი, მაშინ ამ ქანის ს-ს აღნიშნავენ რელიქტური ს-ის სახელწოდებაზე „ბლასტოს" დართვით (მაგ., ბლასტოპორფირული ს.).

ლიტ.: Половинкина Ю. И., Структуры и текстуры изверженных и метаморфических горных пород, ч. 1—2 (т. 1—2), М., 1966. *დ. შენგელია.*

სტრუქტურალიზმი, მეცნიერული ჰუმანიტარული მიმართულება, რ-იც წარმოიშვა XX ს. 20-იან წლებში და მოგვიანებით იქცა სხვადასხვა ფილოსოფიური და იდეოლოგიური ინტერპრეტაციის ობიექტად. ს-ის წარმოშობა განაპირობა მრავალი ჰუმანიტარული დისციპლინის გადასვლამ ემპირიულ-აღწერითიდან აბსტრაქტულ-თეორიულ კვლევაზე. ამის საფუძველი გახდა სტრუქტურული მეთოდის, მოდელირების, ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის ელემენტების გამოყენება. ფართო აზრით, ს. მოიცავს ჰუმანიტარული ცოდნის მრავალ დარგს: ლინგვისტიკას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვ., ვიწრო მნიშვნელობით კი იგი არის სტრუქტურული მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული მეცნ. და ფილოს. იდეების ერთობლიობა.

სტრუქტურული მეთოდის საფუძველია სტრუქტურის გაგება ზოგიერთი გარდაქმნის პირობებში ინვარიანტული ურთიერთობების ერთობლიობის სახით. ამ აზრით იგი არის აგრეთვე გარკვეული წესების ერთობლიობა, რ-ის მეშვეობით ერთი ობიექტიდან მიიღება მეორე, მესამე ობიექტი და ა. შ., მის ელემენტთა და ზოგიერთ სიმეტრიულ გარდაქმნათა გზით.

სტრუქტურული მეთოდის ძირითადი პროცედურები: 1. ობიექტების პირველადი სიმრავლის გამოყოფა, 2. ობიექტების დანაწევრება ელემენტარულ სეგმენტებად (ნაწილებად), რ-ებშიც ტიპური, განმეორებადი მიმართებებიდ აერთიანებენ ელემენტთა სხვადასხვაგვარ წყვილს, 3. სეგმენტებს (ნაწილებს) შორის გარდაქმნების აღმოჩენა, მათი სისტემატიზაცია და აბსტრ. სტრუქტურის აგება ფორმალურლოგიკური და მათ. მოდელირების გზით, 4. სტრუქტურიდან ყველა თეორიულად შესაძლებელი შედეგის გამოყვანა და მათი პრაქტიკულად შემოწმება.

ს-თვის დამახასიათებელია სიღრმისეული სტრუქტურების ძიება ნიშნებით, სიმბოლოებით, სიტყვებითა და სხვ. მანიპულაციით. სტრუქტურალისტების აზრით, ასეთი გზა მეცნ. ობიექტურობის საიმედო გარანტიაა. არსებობს ს-ის ორი ნაირი ფილოს. ინტერპრეტაცია: თვით სტრუქტურალისტების ფილოს. იდეები და სტრუქტურალისტური იდეალოგია, რ-იც (გავრცელდა საფრანგეთში 60-იან წლებში) განსაკუთრებით ეხება სოც. ცხოვრების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის ცდაში (ტ. პარსონზი, რ. მერტონი და სხვ.). ისინი საზ-ბას განიხილავენ სტრუქტურულად ჯიფერენცირებული მთლიანობის სახით სადაც სისტემის თითოეულ ელემენტს გარკვეული ფუნქციური, სისტემის მთლიანობისა და ინტეგრირებისაკენ მიმართული დანიშნულება აქვს.

სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის თანამედროვე ბურჟ. სკლისაგან განსხვავებით, მარქსიზმი მიიჩნევს, რომ სოც. ცხოვრება არ დაიყვანება მხოლოდ ფუნქციურ მიმართებებზე. ფუნქციური კავშირები, დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, უფრო ფართო დეტერმინაციული კავშირების მომენტია და არ ამოწურავს მათ.

ლიტ.: ასათიანი გ., თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ, 1976; Автономова Н. С., Философские проблемы структурного анализа в гуманитарных науках, М., 1977; Буржуазная философия XX века, М., 1974.

სტრუქტურალიზმი ენათმეცნიერებაში, თეორიული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რ-იც XX ს. 20-იან წლებში ჩამოყალიბდა. ს. ყურადღებას ამახვილებს ენის სტრუქტურის საკითხებზე, მიზნად ისახავს ამა თუ იმ ენის აგებულების აღწერას. ხელი შეუწყო ენის აღწერის მეთოდთა დახვეწას, მაგრამ მეტწილ შემთხვევაში უგულებელყოფდა ენის ისტორიას, ენისა და გარეენობრივი ფაქტების ურთიერთობას (იხ. *გლოსემატიკა, დესკრიფციული ლინგვისტიკა, პრაღის საენათმეცნიერო სკოლა, ჟენევის საენათმეცნიერო სკოლა*).

სტრუქტურალიზმი ლიტერატურათმცოდნეობაში, ფორმალიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა, რ-იც მხატვრულ სახეს განიხილავს როგორც სამეტყველო სტრუქტურას, ხოლო ნაწარმოების ანალიზის დროს გამორიცხავს მაში ასახულ რეალურ სინამდვილეს და ლიტერატურულ ქმნილებას (მიუხედავად ენის სისტემური მთლიანობის თეორ. აღიარებისა) მიიჩნევს ცარიელ ნიშანთა დახშულ, ფორმალურ სტრუქტურად; ტექსტს ანაწევრებს ელემენტების წყებად: თითოეულ გამოთქმას — სიტყვებად, სიტყვებს— მარცვლებად, მარცვლებს — ფონემებად. შემდეგ კი მიმართავს მის ხელახალ აღდგენას, რეგენერაციას. სტრუქტურალისტური ლიტმცოდნეობის მიხედვით, ნაწარმოები არის ადამიანის ცოცხალი ადამიანის შემოქმედების ნაყოფი, არამედ მისტიკური, არაცნობიერი საწყისის სიღრმიდან მომდინარე, წინასწარ კონსტრუირებული ფორმალური სტრუქტურა. იმ მოტივით, რომ ლიტ-რა სიტყვიერი ხელოვნებაა, ს. პოეტიკას ლინგვისტიკის ნაწილად აცხადებს, ხოლო რადგან მათემატიკა შედარებით ნაყოფიერად გამოიყენებაა ენის წმინდა მორფოლ. შესწავლაში, მას იგივე ხერხები გადააქვს ლიტმცოდნეობაში.

ს. არ არის გარკვეული პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებული თანამიმდევრული მოძღვრება, კონცეფცია. ამ მიმართულების ძირითადი ამოსავალია მხატვრული სახის იმანენტური კვლევა მისი გარეგანი განპირობებულობის გარეშე.

ლიტ.: გაწერელია ა., ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974; მისივე, სტრუქტურალიზმი პოეტიკაში, «მნათობი», 1979, №1; დოიაშვილი თ., სტრუქტურალიზმი Pro et contra, «ცისკარი», 1979, №6; შარია პ., სტრუქტურალიზმი ლიტერატურისმცოდნეობაში და ლიტერატურულ კრიტიკაში, «კრიტიკა», 1977.

№1; ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე გ., მხატვრული ენის პრობლემა თანამედროვე ლიტერატურულ-ესთეტიკურ თეორიებში, კრ.: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, წგნ. 7, თბ., 1973.

გ. ჭოხონელიძე.

სტრუქტურული განმტკიცება, არარეკრისტალიზებული (პოლიგონიზებული) სტრუქტურის მქონე შენადნობის სიმტკიცის გაზრდა თერმული დამუშავებით რეკრისტალიზებული სტრუქტურის მქონე იმავე შენადნობთან შედარებით. ს. გ. ხდება ალუმინისა და სხვა შენადნობების წნეხილ, დაშტამპულ, ნაგლინ ნახევარფაბრიკატებში იმ შემთხვევაში, როცა მასალის რეკრისტალიზაციის ტემპ-რა შენადნობის წრთობის ტემპ-რაზე მაღალია. პირველად ეს ეფექტი შეამჩნიეს წნეხილ ნაკეთობებში, რ-თა რეკრისტალიზაციის ტემპ-რა შედარებით მაღალია. ს. გ-ის ეფექტი დამოკიდებულია შენადნობის შედგენილობაზე, წნეხით დამუშავების ტექნოლ. პარამეტრებსა და თერმული დამუშავების რეჟიმებზე.

სტრუქტურული გეოლოგია, *ტექტონიკის* დარგი, რ-იც შეისწავლის დედამიწის ქერქში ქანების განლაგების ელემენტარული სტრუქტურული ფორმების (ხშირად გეოლოგიაში მათ „სტრუქტურებს" უწოდებენ) მორფოლოგიასა და გენეზისს (წარმოქმნის კინემატიკური და დინამ. პირობები). ს. გ-ის კვლევის ობიექტებს შორის განარჩევენ: პირველად, ე. ი. ქანის ჩამოყალიბების პროცესში წარმოქმნილ სტრუქტურებს და მეორეულ სტრუქტურებს, რ-ებიც ძირითადად წარმოიქმნება ტექტონ. პროცესების მოქმედებით. პირველს განეკუთვნება: *შრე, ფენა,* კონსედიმენტაციური ნაპრალები, *განწყერება;* მეორეს: ნაოჭი, სხვადასხვა ტიპის რღვევები (*ნასხლეტი, შესხლეტვა, ნაწყევი* და სხვ.). ს. გ. შეისწავლის აგრეთვე მაგმური სხეულების მორფოლოგიას, ტრად. გეოლ. მეთოდების (გეოლ. აგეგმვა, ფაციესთა ანალიზი, მიკროსტრუქტურული ანალიზი) გარდა ს. გ-ში გამოიყენება აგრეთვე ქანების დეფორმაციის კვლევის ფიზ. მეთოდები, რ-ებიც ეფუძნება დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორიებს; ს. გ-ში ფართოდ დაინერგა სტრუქტურების ექსპერ. მოდელირების მეთოდი.


ს. გ-ის მონაცემებს იყენებენ პრაქტ. გეოლოგიის (სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა და ძიება, მოქმედი სამთამადნო საწარმოების გეოლ. მომსახურება და სხვ.) ამოცანების გადაწყვეტის დროს.

ლიტ.: სტრუქტურული გეოლოგიის მეთოდები, თბ., 1979; **А ж г и р е й Г. Д.,** Структурная геология, М., 1966; **Б е л о у с о в В. В.,** Структурная геология, 2 изд., М., 1971; **С и т т е р Л. У.,** Структурная геология, пер. с англ., М., 1960.

ე. გამყრელიძე.

სტრუქტურული სქემა *ავტომატური მართვის სისტემისა* (ა მ ს), გრაფიკული გამოსახულება, რ-იც გვიჩვენებს ამს-ის შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირსა და ახასიათებს სისტემის დინამიკურ თვისებებს. ამს-ში მიმდინარე დინამ. პროცესების შესწავლისას ადგენენ რეგულირების პროცესების მათ. მოდელს. ამიტომ ბლოკ-სქემისაგან განსხვავებით, ს. ს. შედგება რგოლებისაგან, რ-თა დამახასიათებელია გადამცემი ფუნქციები. ერთი მოწყობილობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე რგოლით და პირიქით. ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ამს შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ელემენტარული რგოლებისაგან შემდგარი, რ-თა ტიპების რაოდენობა მცირეა.

ს. ს. თვალსაჩინოდ ასახავს სისტემის შედგენილობას და მის ელემენტებს შორის კავშირს. ს. ს-ის გამოყენებით მოსახერხებელია სისტემის შინაგანი აგებულების დაზუსტება და დამატებითი კავშირებისათვის ჩართვის ადგილების მოძებნა, რაც სისტემაში მიმდინარე დინამ. პროცესების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ნებისმიერი ამს-ის ს. ს. შედგება სტრუქტურული ელემენტების 4 ტიპისაგან: 1. მიმართული მოქმედების სტრუქტურული ელემენტებისაგან, რ-ებიც წარმოადგენენ წრფივ რგოლებსა და არაწრფივ გარდამქმნელებს, თუ ამს არაწრფივია; 2. შედარების ელემენტებისაგან ან მაჯამებლებისაგან, რ-ებშიც ხდება სიგნალების შეჯამება ან გამოკლება; 3. განშტოების წერტილების ან კვანძებისაგან, სადაც სიგნალის გავრცელების გზა განშტოვდება სისტემის სხვადასხვა წერტილთან მიმყვან გზებად; 4. სიგნალების გავრცელების მიმართულების მაჩვენებელი კავშირებისაგან ან ს. ს-ის ხაზებისაგან.



სტრუქტურული სქემა ავტომატური მართვის სისტემისა. წრფივი რგოლების უმარტივესი შეერთებები: ა—მიმდევრობითი; ბ—პარალელური; გ—უარყოფითი უკუკავშირიანი; $W_k(s)$—არის i რგოლის გადამცემი ფუნქცია; W—სისტემის გადამცემი ფუნქცია; y—შემავალი ზემოქმედება (სიგნალი); x—გამომავალი სიდიდე (სიგნალი).

ს. ს. შეიძლება გარდაიქმნას გამოკვლევისათვის მეტად მოსახერხებელ სახედ. რამდენადაც სისტემის გადამცემი ფუნქციები ადეკვატურად აღწერენ სისტემების დინამ. თვისებებს, ერთი ს. ს. შეიძლება შეიცვალოს მისი ეკვივალენტური ს. ს-ით იმ შემთხვევაში, თუ ერთადერთი აუცილებელი და საკმარისი პირობაა დაცული: ერთმანეთს უნდა ეტოლებოდეს მათი გადამცემი ფუნქციები, ამასთან, ჩვეულებრივი წრფივი ს. ს. გარდაიქმნება მარტივი ტიპის (მიმდევრობითი, პარალელური და უკუკავშირიანი) შეერთებების გარდაქმნის წესების შესაბამისად (იხ. ნახ.).

ლიტ.: **И в а щ е н к о Н. Н.,** Автоматическое регулирование, 4 изд., М., 1978; **Ш а т а л о в А. С.,** Структурные методы в теории управления и электроавтоматике, М.—Л., 1962.

გ. ტყემელაშვილი.

სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი, იხ. *სტრუქტურალიზმი.*

სტრუჩკოვა რაისა სტეფანეს ასული (დ. 5. X. 1925, მოსკოვი), საბჭ. ბალერინა. სსრკ სახ. არტისტი. (1959). სკკპ წევრი 1962-იდან. 1944 დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი (ე. გერდტის კლასი). ამავე წლიდან მოსკ. დიდი თეატრის სოლისტია. პარტიები: ლიზა (ჰერტელის „ამაო სიფრთხილე"), ოდეტა-ოდილია და ავრორა (ჩაიკოვსკის „გედის ტბა" და „მძინარე მზეთუნახავი"), ჟიზელი (ადანის „ჟიზელი"), კიტრი (მინკუსის „დონ-კიხოტი"). ჯულიეტა (პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა"), მარია და ჟანა (ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი" და „პარიზის ალი"), პარაშა (გლიერის „ბრინჯაოს მხედარი") და სხვ. ს-ს ცეკვა გამოირჩეოდა ვირტუოზული ტექნიკით, დეტალების ფილიგრანული დამუშავებით, მაღალი აქტიორული ხელოვნებით. 1966-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას, 1968-იდან — ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნ. სახელმწ. ინ-ტში. (1978-იდან პროფ.) გადაღებულია სატელევიზიო ფილმ-ბალეტებში („ბროლის ქოში", „პოდპორუჩიკი კიჟე", „სახელი შენი" და სხვ.). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სტრუჩკოვი ვიქტორ ივანეს ძე [დ. 30. VII (12. VIII). 1907, ქ. რიაჟსკი], საბჭ. ქირურგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1965). სკკპ წევრი 1942-იდან. 1931 დაამთავრა მოსკ. მე-2 სამედ. ინ-ტი. დიდი სამამულო ომის დროს (1941—45) მე-13 არმიის მთავარი ქირურგი იყო. 1953-იდან — მოსკ. 1-ლი სამედ. ინ-ტის ზოგადი ქირურგ. კათედრის გამგე და ერთდროულად (1949—65) სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი. ჟურნ. „Грудная хирургия"-ს რედაქტორი (1965-იდან). 1966-იდან სსრკ მედ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი. შეისწავლის ზოგადი ქირურგ., ფილტვების ქირურგ., ჩირქოვანი ქირურგ., ტრავმატოლოგიის, სისხლის გადასხმის, ანესთეზიოლოგიისა და სხვ. პრობლემებს. შეიმუშავა და დანერგა დაჩირქებისა და ფილტვის კიბოს დროს ოპერაციული ჩარევის რადიკალური მეთოდები (ლენინური პრემია, 1961). მონოგრაფიისათვის, „ფილტვის სიმსივნეები", მიენიჭა სსრკ მედ. მეცნ. აკად. ს. *სპასოკუკოცკის* სახ. პრემია (1965), სახელმძღვანელოსათვის „ზოგადი ქირურგია" —სსრკ სახელმწ. პრემია (1975). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 7 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Гнойная рана, М.,1975; Очерки по общей и неотложной хирургии, 2 изд., М., 1959.


ლიტ.: В. И. Стручков, «Хирургия», 1967, № 9.

სტუდენტთა საბჭო სსრ კავშირისა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რ-იც ახორციელებს საბჭ. სტუდენტების წარმომადგენლობას საერთაშ. სტუდენტურ მოძრაობაში. დაარსდა 1956 მოსკოვში (1941—56 იყო საბჭ. ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის სტუდენტური სექცია). საბჭოს წევრები არიან სტუდენტთა პროფ., საზ., პოლიტ., სპორტ., კულტ., სამეცნ. და სხვ. ორგანიზაციები. საბჭო სსრკ-ის *ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის* ასოცირებული წევრია, *სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის* წევრ-ორგანიზაცია, მისი აღმასკომისა და სამდივნოს წევრია; სამდივნოში ჰყავს თავისი მუდმივი წარმომადგენლები. სტუდენტთა საბჭოები ფუნქციონირებს რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, სტუდენტთა ცენტრებში, უმაღლეს სასწავლებლებში. საქ. სსრ-ში ს. ს. ჩამოყალიბდა 1957, აფხ. ასსრ-ში — 1959, აჭარის ასსრ-ში — 1957, სამხრ. ოსეთის აო-ში — 1957.



რ. სტრუჩკოვა ჟიზელის პარტიაში (ა. ადანის „ჟიზელი").

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი (სსკ), დაარსდა 1946 აგვ. პრაღაში სტუდენტთა I მსოფლიო კონგრესზე. სსკ-ის მოღვაწეობა მიმართულია სტუდენტთა პროგრ. მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. იბრძვის რეაქციის ძალების წინააღმდეგ. განათლების დემოკრატიზაციისათვის, მშვიდობისა და საერთაშ. უშიშროებისათვის. 1984 მის შემადგენლობაში იყო სტუდენტთა 120-მდე ეროვნ. კავშირი. სსკ-ში საბჭოთა სტუდენტობას წარმოადგენს *სტუდენტთა საბჭო* სსრ კავშირისა. სსკ აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდობისა და სტუდენტების მსოფლიო ფორუმების, ფესტივალების, სტუდენტთა საერთაშ. სპორტ. ღონისძიებებისა და ბანაკების ორგანიზაციაში, გამოდის ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ. სსკ-ის უმაღლესი ხელმძღვ. ორგანოა კონგრესი, რ-საც იწვევენ 3 წელიწადში ერთხელ. კონგრესებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობისათვის იგი ირჩევს აღმასკომს, პრეზიდენტს, სამდივნოს, გენ. მდივანსა და ფინანსთა კომიტეტს. სსკ ყოველთვიურად გამოსცემს ჟურნალს „მსოფლიო სტუდენტური სიახლენი" და პერიოდულად საინფორმაციო



ლ. სტუოკა—გუციავიჩიუსი. ვოფილი რატუშა (ახლა ლიტვის სსრ სამხატვრო მუზეუმი). ვილნიუსი. 1786—99).

ბიულეტენებს. სსკ-ის სამდივნოს ადგილსამყოფელია პრაღა.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებები სსრ კავშირში, სტუდენტთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები, რ-ებიც ყალიბდება უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნ.-კვლ. მუშაობაში სტუდენტთა ჩასაბმელად, ამ მუშაობის გასაერცელებლად და მისი გამოცდილების განსაზოგადოებლად, მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად და აღზრდის ხარისხის ასამაღლებლად.

რუსეთში პირველი ს. ს. ს. შეიქმნა პეტერბ. უნ-ტში 1882. სსრკ-ში 30-იან წლებში სტუდენტთა სამეცნ. წრეები ჩამოყალიბდა კათედრებთან, ხოლო 40-იან წლებში ს. ს. ს-ის გვერდით გაჩნდა სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროები. 60-იანი წლების დასასრ. ს. ს. ს. მოქმედებდა უკვე ყველა უმაღლეს სასწავლებელში. 70-იან წლებში გაჩნდა სტუდენტთა სამეცნ.-კვლ. საქმიანობის ახ. ფორმები — სტუდენტთა სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, სამეცნ. ცენტრები, საკონსტრუქტორო რაზმები, სამეცნ. ექსპედიციები, სტუდენტთა სამეცნ.-კვლ. მუშაობა იქცა უმაღლესი სკოლების სასწ. პროცესის განუყოფელ ნაწილად. 1984 სტუდენტთა სამეცნ.-კვლ. მუშაობის სხვადასხვა ფორმებში მონაწილეობდა 2 მლნ-მდე სტუდენტი, რ-ებსაც ხელმძღვანელობას უწევდა 200 ათ. პროფესორ-მასწავლებელი. 1958-იდან უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტრო და საკ. ალკკ ატარებს კონკურსებს სტუდენტების საუკეთესო ნაშრომზე საბუნებისმეტყველო-მათ. და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში, 1966-იდან — კონკურსებს საზ. მეცნიერებათა, საკ. ალკკ ისტორიის, ახალგაზრდობის საერთაშ. მოძრაობის დარგებში (გამარჯვებულები ჯილდოვდებიან სსრკ მეცნ. აკად., დარგობრივი აკადემიების, უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტროს, მედლებით, საკ. ალკკ ცკ-ის დიპლომებითა და სიგელებით). 1973—74 ჩატარდა საკავშ. ოლიმპიადა დევიზით: „სტუდენტი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი". სსრკ სტუდენტთა სამეცნ. ნაშრომები ექსპონირებული იყო გამოფენებზე საზღვარგარეთის ქვეყნებში. იხ. აგრეთვე ტომი *საქართველოს სსრ*, თავი სახალხო განათლება.



ლ. სტუოკა—გუციავიჩიუსი.



გ. სტურუა.

სტუდენტთა სამეცნიერო რაზმები სსრკ-ში, სტუდენტთა სამშენებლო ნებაყოფლობითი კოლექტივები, რ-ებიც ყალიბდება ზაფხულის არდადეგების პერიოდში სახ. მეურნ. ობიექტების მშენებლობისა და მოსახლეობაში საორგანიზაციო-პროპაგანდისტული, კულტ. და სხვა საშეფო მუშაობისათვის. გარდა ამისა, სას.-სამ. საშემოდგომო სამუშაოებისათვის ხელის შესაწყობად ყალიბდება სტუდენტთა სას.-სამ. რაზმები. ქართვ. სტუდენტები 1954-იდან მუშაობდნენ ყაზ. სსრ ყამირი მიწების ასათვისებლად. 1963 ყაზახეთში ჩავიდა პირველი ქართ. ს. ს. რ., რ-იც შედგებოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სტუდენტებისაგან (250 კაცი). 1968 საქ. კომკავშირის ცკ-თან შეიქმნა ს. ს. რ-ის რესპ. შტაბი. 1973 რესპ. მოსწავლეებმა პირველად ჩაატარეს შრომითი მეოთხედი. 1963—83 საქართვ. ს. ს. რ-მა ჩაატარეს 222,4 მლნ. მანეთის სამუშაოები. რესპ. ფარგლებს გარეთ სტუდენტები შრომობენ თათრ. ასსრ-ში, კომის ასსრ-ში, მურმანსკის, სმოლენსკის, ვოლოგდის ოლქებში, ქ. გაგარინში. 1984 ზაფხულში სტუდენტური რაზმების ისტორიაში პირველად რესპ. გარეთ (სტავროპოლის მხარეში) გავიდა გოგონათა რაზმი 500 მებრძოლის შემადგენლობით. ქართ. ს. ს. რ. მონაწილეობდენ ინტერნაც. რაზმებში გდრ-ში, პოლ. სრ-ში.



ი. სტურუა.

საშეფო მუშაობის ხაზით სულ ჩატარებულია 10 162 ლექცია, 2108 კონფერენცია, აშენებულია 627 სპორტმოედანი და სხვ. ს. ს. რ-ის დაარსებიდან ეს სკოლა გაიარა 162 ათ-ზე მეტმა სტუდენტმა, მოსწავლეთა სამშენებლო რაზმებში კი — 1,9 მლნ-მდე მოსწავლემ.

ა. მემანიშვილი.

სტუდენტი (ლათ. studens, ნათ. ბრ. studentis — გულმოდგინედ მომუშავე, მეცადინე), უმაღლესი სასწავლებლის (ზოგ ქვეყანაში — საშ. სპეც. სასწავლებლის, უმცროსი კოლეჯების) მოსწავლე. ძვ. რომში ს-ს უწოდებდნენ ყველას, ვინც შემეცნებითს საქმიანობას ეწეოდა. XII ს-ში უნ-ტების გაჩენის შემდეგ ს-ებს უწოდებდნენ როგორც მსმენელებს, ისე მასწავლებლებს, ხოლო მასწავლებლებისათვის სამეცნ. წოდებების (მაგისტრი, პროფესორი და სხვ.) შემოღების შემდეგ — მხოლოდ უნ-ტის მოსწავლეებს.

სსრკ-ში, უმაღლესი სასწავლებლების ს-ებისაგან განსხვავებით, საშ. სპეც. სასწავლებლებში მოსწ. ახალგაზრდებს უწოდებენ მოსწავლეებს, სამხ. სასწავლებელში — კურსანტებს, აკადემიებში — მსმენელებს.

სტუდენტობა, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა. ტერმინის შინაარსი ითვალისწინებს ს-ს, როგორც სოც.-დემოგრაფიულ ჯგუფს, რ-საც აქვს რიცხობრივი მახასიათებელი, ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, საზ. მდგომარეობა, როლი, სტატუსი და სოც.-ფსიქოლ. თავისებურებანი; აგრეთვე განსაკუთრებულ ფაზას, სოციოლოგიზაციის სტადიას (სტუდენტობის წლებს), რ-საც გაივლის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი და რ-იც ხასიათდება გარკვეული სოც.-ფსიქოლ. თავისებურებებით.

ს-ის, როგორც განსაკუთრებული ჯგუფის, აღმოცენება დაკავშირებულია XII ს. ევროპაში პირველი უნ-ტების გაჩენასთან. კაპიტალიზმის განვითარებასა და უმაღლესი განათლების სოც. მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად იზრდება საზ-ბაში ს-ის როლი. სამეცნ.-ტექ. რევოლუციამ გამოიწვია დიდი ძვრები ს-ის შემადგენლობასა და მდგომარეობაში. 1950—66 სტუდენტთა რაოდენობა მსოფლიოში 3,2-ჯერ გაიზარდა. 1970-იან წლებში ყოველ 10 ათ. მოსახლეზე მოდიოდა აშშ-ში — 273 სტუდენტი, სსრკ-ში 186 (საქართველოში — 187), საფრანგეთში — 132, იტალიაში — 118, დიდ ბრიტანეთში — 94, გფრ-ში — 66 და სხვ.

მიუხედავად საერთო ნიშნებისა, ს. სოციალურად არაერთგვაროვანია და არ წარმოადგენს საზ. კლასს, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი საზღვარგარეთელი სოციოლოგი (მაგ., ი. გოროვიცი და უ. ფრიდლენდი აშშ-ში). ს-ს არ აქვს დამოუკიდებელი ადგილი წარმოების სისტემაში, სტუდენტის სტატუსი დროებითია; ს-ის მდგომარეობა და მისი სპეციფ. პრობლემები განისაზღვრება საზ. წყობილების ხასიათითა და ქვეყნის სოც.-ეკონ. და კულტ. განვითარების დონით, აგრეთვე უმაღლესი განათლების სისტემის ეროვნ. თავისებურებებით.

კაპიტალ. ქვეყნებში უმაღლესი განათლება კლასობრივი ხასიათისაა და ს-ის წინაშე მდგარი სოც. პრობლემების მთელი სირთულე აწვება საზ-ბის ღარიბი ფენების წარმომადგენლებს.

სოციალ. ქვეყნებში უმაღლესი სკოლის დარგში გატარებული ყველა ღონისძიება მიმართულია ს-ის სოც. და მატერ. მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ (სტიპენდიათა ფონდის სისტემ. ზრდა, მოსამზადებელი კურსები, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები, ს-ის შემადგენლობაში ქალთა რიცხვის ზრდა და ა. შ.), განათლებისა და იდეურ-პოლიტ. აღზრდის დონის ამაღლებისაკენ, დამოუკიდებელ სამეცნ.-კვლ. მუშაობაში ჩაბმისაკენ. სსრკ-ში 1984-თვის სტუდენტთა რიცხვი დაახლ. 25-ჯერ გაიზარდა. ს-ის მაღალი სოც. აქტივობის მაჩვენებელი, გარდა სამეცნ. ცოდნის ათვისებისა და იდეურ-პოლიტ. და კულტ. დონის ამაღლებისა, არის მისი მონაწილეობა შრომითსა და საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში (ზაფხულის შრომითი სემესტრი, კომკავშირული მუშაობა და სხვ.). იხ. *სტუდენტი, სტუდენტთა სამშენებლო რაზმები, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებები, სტუდენტური მოძრაობა.*

სტუდენტური მოძრაობა, სტუდენტთა ბრძოლა თაგიანთი ინტერესების დასაცავად, მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში. სტუდენტთა საზ. საქმიანობა დას. ევროპაში ჯერ კიდევ XIX ს. I ნახევარში გახდა საზ.-პოლიტ. ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი. 1893 ჟენევაში მოიწვიეს სტუდენტ-სოციალისტთა კონგრესი, რ-საც წერილით მიესალმა ფ. ენგელსი. რუსეთში ს. მ. აღმოცენდა XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში, როდესაც სტუდენტობა აქტიურად ჩაება რუს. ს.-დ. მოძრაობაში. 1907 ახალგაზრდული სოციალ. ორგანიზაციების შტუტგარტის საერთაშ. კონფერენციაზე ჩაისახა ახალგაზრდობის ინტერნაციონალი. ოქტ. რევ. ზეგავლენით ჩამოყალიბდა *ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი*. სტუდენტთა ანტიფაშისტურ მოძრაობას ხელს უწყობდა მსოფლიო სტუდენტთა კონგრესი ბრიუსელში (1934), სოციალ. და კომუნისტური სტუდენტობის საერთაშ. კონგრესი (პარიზი, 1937), სადაც შეიქმნა სტუდენტთა საერთაშ. ალიანსი და სხვ. 1945 შეიქმნა *დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია*. 1946 პრაღის კონფერენციაზე ჩამოყალიბდა სტუდენტთა საერთაშ. კავშირი — სტუდენტთა ყველაზე დიდი საერთაშ. ორგანიზაცია. მის წინააღმდეგ 1948-იდან აქტიურად იბრძოდნენ კაპიტალ. ქვეყნების სტუდენტობის რეაქციული წრეები, რ-ებსაც ხელმძღვანელობდნენ და აფინანსებდნენ ამ ქვეყნების (განსაკუთრებით აშშ-ის) რეაქციული მმართველი წრეები. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა საერთაშ. კავშირი აქტიურად უწყობდა ხელს სტუდენტთა როგორც საერთაშ., ისე სხვა მრავალმხრივ შეხვედრებს, მონაწილეობდა *ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალების* მომზადებაში. 60-იან წლებში გაჩნდა ს. მ-ის ახ. ფორმები (ქუჩის დემონსტრაციები და პროტესტის მარშები, უნ-ტებისა და სტუდენტური საერთო საცხოვრებლების დაკავება, სადისკუსიო კრებები და სხვ.). ამ წლებში აღმოცენდა სტუდენტთა რეაქციული და პროფაშისტური ორგანიზაციები. ამავე დროს მთელ რიგ კაპიტალ. ქვეყნებში შეიქმნა სტუდენტთა ახ. დემოკრ. ორგანიზაციები, მაგ., გფრ-ში 1969 მარქსისტი სტუდენტების ასოციაცია „სპარტაკი". ლათ. ამერ. ქვეყნების ეროვნ. კავშირების საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს რეგიონალური სტუდენტური ცენტრი — სტუდენტთა ლათ.-ამერ. კონტინენტური ორგანიზაცია (შეიქმნა 1955, ანტიიმპერიალ. საფუძველზე, რეორგანიზებულია 1966). 1969 შეიქმნა სტუდენტთა აზიის კავშირი, 1972 — სტუდენტთა სრულიად აფრიკის კავშირი. თანამედროვე ს. მ-ის ახასიათებს პროგრ. ტენდენციები, სულ უფრო აქტ. მონაწილეობა მშვიდო-

ბისათვის, დემოკრატიისათვის, უშიშროებისა და ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. იხ. აგრეთვე *სტუდენტობა, სტუდენტთა საბჭო სსრ კავშირსა, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი.*

სტუდია (იტალ. studio), 1. მოქანდაკის ან მხატვრის სახელოსნო. 2. სკოლა, რ-იც მხატვრებს ან მსახიობებს ამზადებს. 3. თეატრი, რ-შიც ახალგაზრდა, დამწყები მსახიობები თამაშობენ.

სტუკოკა-გუციავიჩიუსი ლაურინას [1753, სოფ. მიგონისი, ახლანდ. კუპიშქისის რ-ნი, — 29. XI (10. XII). 1798, ვილნიუსი], ლიტველი არქიტექტორი. სწავლობდა ვილნიუსის უნ-ტში (1773-იდან) მ. კნაკფუსთან, რომსა (1776—77) და პარიზში (1778—80). 1793—94 და 1797—98 იყო ვილნიუსის მთავარი სკოლის პროფესორი. მონაწილეობდა ტ. კოსტიუშკოს ხელმძღვანელობით მომზადარ აჯანყებაში. ს.-ბ. კლასიციზმის წარმომადგენელია. მისი ნამუშევრები გამოირჩევა მკაცრი კომპოზიციითა და მონუმენტური ფორმებით: საკათედრო ტაძარი (ახლანდ. სურათების გალერეა, 1777—1801) და რატუშა (ახლანდ. ლიტვ. სსრ სამხატვრო მუზეუმი; 1786—99), ვერკიის სასახლე-ანსამბლის პროექტი ვილნიუსის მახლობლად (1780-ის შემდეგ; განხორციელებულია ნაწილობრივ).

სტუპა (სანსკრიტული; ძირითადი მნიშვნელობა — თხემი; მიწის, ქვის გორა; თავდაპირველად — მეფის ან ბელადის სამაფლავზე აღმართული ნაგებობა), ბუდისტურ არქიტექტურაში რელიქვიების შესანახი მონუმენტური ნაგებობა. უკვე ადრინდ. საუკუნეებში ჩამოყალიბდა 3 ნაწილისაგან შემდგარი სტრუქტურა (ს. № 1 — სანჩიში, ძვ. წ. III—II სს.) საფეხურებიანი ფუძე, მასიური ძირითადი მოცულობა და ქოლგისებრი მრავალიარუსიანი დამაგვირგვინებელი ნაწილი. გავრცელდა აგრეთვე ნახევარდაფერული (ინდოეთი, შრი-ლანკა), გეგმით კვადრ. საფეხურებიანი (შრი-ლანკა, ჭაილანდი), კოშკისებრი (ვიეტნამი, ჩინეთი) და სხვ. ფორმის ს-ები. ჩვეულებრივ წარმოადგენს ქვით შემოსილ ან შელესილ აგურის ნაგებობას. ს. ეწოდება მხოლოდ ინდოეთსა და ნეპალში; ლაოსში უწოდებენ თატს, მონღოლეთში სუბურგანს, ჩინეთსა და ვიეტნამში „ბაო ტას", პაგოდასა და ა. შ.

სტუპინო, ქალაქი (1938-მდე დაბა) რსფსრ მოსკოვის ოლქში. სტუპინოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური, მოსკოვიდან 99 *კმ*. 72 ათ. მცხ. (1983). მეტალ. კომბინატი, მინაპლასტიკისა და ეჯრედოვანი ბეტონის ქ-ნები, მუყაოს ფ-კა. მოსკ. საავიაციო-ტექნოლ. ინ-ტის ფილიალი, სამედ. სასწავლებელი.

სტუპორი (ლათ. stupor — გაშეშებულობა, უძრაობა), უმოძრაობისა და დუმილის მდგომარეობა; ფსიქ. დაავადების სიმპტომი. ავადმყოფი არ რეაგირებს ტკივილზე, გარე სამყაროს მოვლენებზე, არ პასუხობს შეკითხვებზე, არ ჭამს, გაშეშებულია ერთ პოზაში. ყველაზე ხშირად ს. აღინიშნება *კატატონიის*, უფრო იშვიათად — დეპრესიის და ფსიქ. დარღვევის სხვა ფორმის დროს.

სტურუა გიორგი თევდორეს ძე [5 (17). VI 1884, სოფ. კულაში, ქუთაისის მაზრა, — 1. IV. 1956, თბილისი], პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1901-იდან. 1901—03 მუშაობდა თბილ., ბაქოსა და ბათ. ქ-ნებში და აქტ. მონაწილეობას იღებდა მუშათა გაფიცვა-დემონსტრაციებში. 1903 — 05 მუშაობდა რსდმპ ბაქოს კომიტეტის არალეგალურ სტამბაში, 1905 — მოსკოვში რსდმპ ცკ-ის არალეგალურ სტამბაში. არაერთხელ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩრდ. კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. 1919 — 20 იყო რკპ (ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტის წევრი. 1919 ოქტ.-ნოემბ. მენშევიკური მთავრობისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ საქართვ. მშრომელთა აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. მუშაობდა რკპ (ბ) აზერბ. ცკ-ის მდივნად. 1921—22 საქ. სსრ სასურსათო საქმეთა კომისრის მოადგილე; 1923—25 საქ. კპ(ბ) თბილ. საქალაქო, 1925—27 საქ. კპ(ბ) აფხ. საოლქო კომიტეტის მდივანი; 1929—31 საქ. სსრ იუსტიციის სახკომი; 1932—34 საქ. კპ (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის და საქ. სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავ-რე; 1931—33, 1934—37, 1953 საქ. პროფსაბჭოს თავ-რე; 1938—41 საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე, 1942—48 საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე, 1946—48 სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე, 1955 — 56 ლენინის ცენტრ. მუზეუმის თბილ. ფილიალის დირექტორი. არაერთხელ იყო საკ. კპ(ბ) ყრილობის დელეგატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ზ. გეგეშიძე.

სტურუა ივანე (ვანო) თევდორეს ძე [16 (28). XII. 1870, სოფ. კულაში, ქუთაისის მაზრა, —13. IV. 1931, თბილისი], პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1896-იდან. 1889—1900 მუშაობდა ამიერკაუკ. რკინიგზის თბილ. მთავარ სახელოსნოებში. თბილ. ს.-დ. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. ხელმძღვ. როლს ასრულებდა 1898—1900 თბილ. მუშათა გაფიცვებსა და მაისობებში. 1900 სექტ. ბაქოში ჩაბმული იყო რევ. მუშაობაში. იყო რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრი, ლენინური „*ისკრის*" *აგენტი*. მუშაობდა რსდმპ ცკ-ის არალეგალურ სტამბებში ბაქოში, პეტერბურგსა და ვიბორგში. რამდენჯერმე იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ ხელმძღვანელობდა სამტრედიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას, იყო ბოლშევიკების დას. ამიერკაუკ. და ქუთ. საგუბერნიო კომიტეტების (1918—20), საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრი (1920 — 21). 1922—24 — საქ. სსრ მიწათმოქმედების სახკომი, შემდეგ საკ. კპ(ბ) ამიერკაუკ. სამხარეო კომიტეტის პარტკოლეგიის საკონტროლო კომისიის თავ-რე. არაერთხელ იყო საკ. კპ(ბ) ყრილობის დელეგატი. საკ. კპ (ბ) XIV—XVI ყრილობებზე აირჩიეს საკ. კპ(ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრად. იყო საქ. სსრ, ამიერკავკ. სფსრ და სსრკ ცაკის წევრი.

ზ. გეგეშიძე.

სტურუა ლია შალვას ასული (დ. 15. V. 1939, თბილისი), ქართველი საბჭ. პოეტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1962). ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1974). პირველი პოეტური კრებ. „ხეები ქალაქში" 1965 გამოაქვეყნა. ს-ს ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები „მზე დედაა ჩემი" (1968), „ლექსები" (1972), „ლექსები. პოემა" (1977), „ლექსები, ორი პოემა" (1980), „ლექსები. პოემა" (1981), „ქართულის გაკეთილები" (1984). ს-ს ლექსები თარგმნილია რუს. და სსრკ სხვა ხალხთა, აგრეთვე ინგლ., გერმ., ფრანგ., ესპ., ფინ. ენებზე.

სტურუა მელორ გიორგის ძე (დ. 10. IV. 1928, თბილისი), საბჭ. ჟურნალისტი, სსრკ მწერალთა კავშირის წევრი. 1949 დაამთავრა მოსკ. საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტი. ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა გაზ. „იზვესტიაში" ჯერ ლიტმკაცად, ხოლო შემდეგ — საერთაშ. ურთიერთობათა განყ-ბის რედაქტორის მოადგილედ: 1964—68 და 1972—77 იყო გაზ. „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტი ინგლისში, 1968—72 მუშაობდა გაზ. „იზვესტიის" საკუთარ კორესპონდენტად აშშ-ში, 1977—82 — გაზ. „იზვესტიის" საკორესპონდენტო პუნქტის გამგედ აშშ-ში, 1982-იდან გაზ. „იზვესტიის" საერთაშ. ურთიერთობათა განყ-ბის რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრია.

ს. ავტორია რამდენიმე წიგნისა, მ. შ. „დრო გრინვიჩის მიხედვით და არსებითად", „ათი ოცდაათიდან", „80-იანი წლების ამერიკა", „მღელვარე ათწლეული" და სხვ. ს-ს მიენიჭა ვუოროვსკის სახ. პრემია (1959), ა. ტოლსტოის სახ. პრემია (1983). დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სტურუა ნიკოლოზ ივანეს ძე (14. XII. 1913, ახლანდ. დაბა კულაში, სამტრედიის რ-ნი, — 10. IV. 1984, თბილისი), ქართველი საბჭოთა ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). სკკპ წევრი 1939-იდან. დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით (1936). სწავლობდა საკ. კპ (ბ) ცკ-თან არსებულ უმაღლეს პარტ. სკოლაში (1940—42). 1937—39 მუშაობდა ინჟინერ-დამპროექტებლად. 1939—54 პარტ. სამუშაოზე იმყოფებოდა. 1951—53 სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალის უფროსი მეცნ. თანამშრომელია. 1954-იდან მუშაობდა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში ჯერ უფროსი მეცნ. თანამშრომლად, ხოლო 1962-იდან დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში. იყო ინ-ტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყ-ბის ხელმძღვანელი. მუშაობდა საქართველოში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების ისტორიის, მუშათა კლასისა და უახლესი ისტ., სკკპ ისტ. საკითხებზე. საქ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982).

თხზ.: Грузия в 1917 г., Тб., 1964; Из истории борьбы за создание и упрочение большевистских организаций Закавказья (1893—1904 гг.), Тб., 1956.

უ. სიდამონიძე.

სტურუა რობერტ ივანეს ძე (4. V. 1916, სოფ. ნაბაკევი, დაბა კულაში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 21. I. 1982, თბილისი), ქართველი საბჭ. ფერმწერ-მონუმენტალისტი. საქ. სსრ სახ. მხატვარი (1965). სკკპ წევრი 1954-იდან. 1939—41 სწავლობდა მოსკ. სამხატვრო ინ-ტში (ამჟამად ვ. სურიკოვის სახელობისა). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1942). ს. მონუმენტური ფერწერის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნამუშევრები: „გამარჯვების ზეიმი" — ჭიათურის ა. წერეთლის სახ. თეატრის დარბაზის პლაფონის მოხატულობა (1945—50, სსრკ სახელმწ. პრემია, 1951); „ხალხთა მეგობრობა" — სოფ. შრომის (მახარაძის რ-ნი) კულტურის სახლის დარბაზის პლაფონი (1953—56); „ბოროტსა სძლია კეთილმან" — მეშახტეთა კულტურის სახლის, ტყიბული (1957—60); „აკაკი წერეთლის შემოქმედება" — მეტალურგების კულტურის სახლის პლაფონის მოხატულობა, ჭიათურა (1975—76); პანო „ვ. ი. ლენინი", ფერწერული ფრიზი — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილ. ფილიალი (1964); შოთა რუსთაველის (1964, მხატვრის კუთვნილება), ნ. ჭავჭავაძის (1955, ლიტ. მუზეუმი, თბილისი) და სხვ. პორტრეტები. ს. მუშაობდა დაზგური ფერწერისა და წიგნის გრაფიკის დარგში.

ქ. კინწურაშვილი.

სტურუა რობერტ რობერტის ძე (დ. 31. VII. 1938, თბილისი), ქართველი საბჭ. რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1982). სკკპ წევრი 1964-იდან. 1961 დაამთავრა საქართვ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. ამავე წლიდან შოთა რუსთაველის სახ. თეატრის დამდგმელი რეჟისორია. ს. ორიგინალური ხელწერის ხელოვანია. იგი მიმართავს სხვადასხვა სტი-



ლ. სტურუა.



რ. ი. სტურუა.



რ. ი. სტურუა. „ლენინის პორტრეტი". 1961. ოჯახის კუთვნილება.



რ. რ. სტურუა.



ა. სტუჩკა.

ლის სცენურ საშუალებებს, იყენებს არატრადიციულ სცენურ გამომსახველობით ხერხებს, ცდილობს წინ წამოსწიოს კლასიკურ ნაწარმოებებში მიმალული ის საკითხები, რ-ებიც მტკივნეულია დღესაც. ამისათვის მიმართავს ექსცენტრულობას, სატირას, გროტესკსა და ირონიას. დადგმები: ა. გრიბოედოვის სახ. თეატრში ჯ. პრისტლის „საუნჯე“ (1961); რუსთაველის სახ. თეატრში — ვ. ბლაჟეევის „მესამე სურვილი“ (1963), ვ. როზოვის „ვახშმობის წინ“ (1963), ა. მილერის „სილემის პროცესი“ (1965), ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“ (1966), ე. ლაბიშის „ჩალის ქუდი“ (1967), ა. ცაგარლის „ხანუმა“ (1968), ჟ. ანუის „მედეა“ (1971), ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“ (1972) და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1977), ბ. ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ (1969), „კავკასიური ცარცის წრე“ (1975), ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ (1974), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (თ. ჩხეიძესთან ერთად, 1969), პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“ (1974), ა. გელმანის „პრემია“ (1974), შექსპირის „რიჩარდ III“ (1979), მ. შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ (1980), თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ (1980) და სხვ.; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში — ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა...“ (1983) და გ. ყანჩელის „...და არს მუსიკა“ (1984). მ. კვესელავას „ას ერგას დღე“ (1985). საზღვარგარეთული (გფრ) დადგმები: დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (საარბრიუკენი, 1974), ა. ოსტროვსკის „შმაგი ფული“ (1979) და შექსპირის „როგორც გენებოთ“ (1980, ორიენ დიუსელდორფში). დიდი წარმატება ხვდა ს-ს სპექტაკლებს როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ისე საზღვარგარეთ (გფრ, 1974, 1977; შექსიკა, 1977; იუგოსლავია 1978; ედინბურგი 1979, ლონდონი 1960; საბერძნეთი, 1980, იტალია, შვეიცარია, 1981; მექსიკა, 1982; ბულგარეთი, პოლონეთი, 1983). ავტორია პიესებისა „განაჩენი“ (1960), „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ (1982) და თეატრ. მოთხრობისა „შემოდგომის ორი დღის ქრონიკა“ (1983). ს. რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი 1979-იდან და დირექტორია 1980-იდან. სსრკ სახელმწ. (1979), კ. მარჯანიშვილის სახ. (1975) და რუსთაველის სახ. (1981) პრემიების ლაურეატი. პედ. მოღვაწეობას ეწევა თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში 1980-იდან. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. *კ. ნინიკაშვილი.*

სტუჩკა პეტრე ივანეს ძე [14 (26). VII. 1865, კოკნესეს თემი, ახლანდ. სტუჩკის რ-ნი, ლატვ. სსრ, — 25. I. 1932, მოსკოვი], საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. ლატვ. კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. მეცნიერ-იურისტი. კომპარტიის წევრი 1895-იდან. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1888). რევ. მოძრაობაში ჩაება 80-იანი წლების დასასრულს, არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1904 — ლატვ. ს.-დ. მუშათა პარტიის I ყრილობის, 1906 ლატვ. მხარის ს.-დ. I ყრილობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1904 ცკ-ის წევრი. 1907-იდან პეტერბურგში იყო. თანამშრომლობდა ლატვ. ს.-დ. გამოცემებში, 1917 თებ. რევ. შემდეგ რსდმპ (ბ) პეტერბ. კომიტეტისა და პეტროგრ. საბჭოს აღმასკომის წევრი. 1917 ოქტ. შეიარაღებული აჯანყების მონაწილე პეტროგრადში, სრულიად რუს. საბჭოების II ყრილობის დელეგატი. 1917—18 რსფსრ იუსტიციის სახკომი. 1918—20 ლატვ. საბჭ. მთავრობის თავ-რე. 1923—32 რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავ-რე; საკ. კპ(ბ) VII, IX, X, XIV—XVI ყრილობების დელეგატი. VII, IX ყრილობებზე აირჩიეს ცკ-ის წევრობის კანდიდატად, VIII—ცკ-ის წევრად. 1920—32 ლატვ. ცკ-ის საზღვარგარეთული ბიუროს თავ-რე, სრულიად რუს. ცაკისა და სსრკ ცაკის წევრი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

ს-ს აქვს მრავალი შრომა სახელმწიფო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის თეორიის საკითხებზე. ს. იყო სახელმწ. სამართ. ინ-ტის ერთ-ერთი შემქმნელი და დირექტორი (1931-იდან), მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი და სამოქალაქო სამართ. კათედრის გამგე. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა „სახელმწიფოსა და სამართლის ენციკლოპედია“ (ტ. 1—3, 1925—27; II გამოც. 1929—30).

თხზ.: Курс советского гражданского права, т. 1—3, М., 1927—31.

ლიტ.: Ленин В. И., Полн. собр. соч., 5 изд. (см. Справочный том, ч. 2, с. 475); П. Стучка — революционер, мыслитель и государственный деятель, Рига, 1965.

სუად დერვიში (Suat Derviş; ფსევდონიმები — ჰათიჯე ჰათიბი, სუად ჰათიბი, სუად სუზანი) (1903, სტამბოლი, — 23. VII. 1972, იქვე), თურქი მწერალი ქალი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ბერლინის უნ-ტი (1930) და კონსერვატორია. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1919-იდან. მოთხრობების პირველი კრებ. „შავი წიგნი“ 1922 გამოსცა. ავტორია რომანებისა: „არც ერთი მათგანი“ (1931), „ემინე“ (1931), „ფოსფორიანი ჯვევრიე“ (1948, ქართ. თარგმ. 1964), ნოველების კრებულებისა, ნარკვევისა „რატომ ვარ მე საბჭოთა კავშირის მეგობარი“ (1944). რამდენჯერმე იყო სსრკ-ში. 1953—63 ემიგრაციაში იყო, ცხოვრობდა ევროპაში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

სუათისი, ხეობის ტიპის მყინვარი ხევის კავკასიონზე, მდ. სუათისის (თერგის მარცხ. შენაკადი) აუზში. სიგრძე 5,4 *კმ*, ფართ. 10,2 *კმ²*, ენის სიმაღლე 3000 *მ*. საზრდოობს მწვერვალების ჯიმარაიხოხისა და მაილის კალთებიდან ჩამონადენი მყინვარული ნაკადებით. მყინვარის ენიდან გამოედინება მდ. სუათისი. მისასვლელი გზაა სოფ. აბანოდან. *რ. ბაზარაძე.*

სუათისი, მწვერვალი ხევის კავკასიონის ჩრდ-ით გვერდით ხოხის ქედზე, მდ. სუათისის (თერგის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 4466 *მ*. აგებულია იურული ფიქლებითა და დიორიტ-დიაბაზური წარმონაქმნებით. ს-ის ქვედა კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. ბალახმცენარეულობით, ზედა კალთებზე სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტებია.

რ. ბაზარაძე.

სუათისი, სოფელი ყაზბეგის რ-ნში (კობის სოფლისაჭო), მდ. თერგის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2320 *მ*, ყაზბეგიდან 38 *კმ*. სერგო ორჯონიკიძის სახ. კობის კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ყანობში (22 *კმ*).

სუარესი (Suarez) ფრანსისკო (5. I. 1548, გრანადა, — 25. IX. 1617, ლისაბონი), ესპანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ნომინალისტი. გვიანდელი კონტრეფორმაციული *სქოლასტიკის* თვალსაჩინო წარმომადგენელი, „არაჩვეულებრივ დოქტორად“ წოდებული. განიცდიდა *იოანე დუნს სკოტუსის* გავლენას, უარყოფდა *თომა აკვინელის* შეხედულებებს მატერიაზე, როგორც მხოლოდ შესაძლებლობაზე, აგრეთვე არსებისა და არსებობის მიმართების გაგებას მის მიერ და ინდივიდუაციის პრინციპს. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში გავლენა ჰქონდა *გროციუსზე*. მთავარი შრომები: „მეტაფიზიკური პაექრობანი“ (1597) და „კანონები“ (1612).

სუაჰილი, ვასუაჰილი, ხალხი აღმ. აფრიკაში. ცხოვრობენ ძირითადად კენიის, ტანზანიის, ნაწილობრივ მოზამბიკის სანაპიროებზე და ახლომდებარე კ-ებზე. შემადგენლობა მრავალფეროვანია. მა განეკუთვნება ზღვისპირა და კ-ების ზა ზიბარის, პემბის აბორიგენი მოსახლეო ბისა და ინდოელების, არაბების, სპარს ლებისა და აფრიკიდან გადმოსახლებულთ შთამომავლობისაგან შექმნილი მოსახლ ობა. არაბ. სახელწ. „ს.“ არსებობს დ ახლ. XII ს-იდან. წარმოდგა არაბ. სიტ ვიდან „საჰილ“ — ნაპირი და აღნიშნავ „სანაპიროს მცხოვრებთ“. ს-ის ძირითად საქმიანობაა მიწათმოქმედება. მნიშვნ ლოვანი ნაწილი ცხოვრობს ქ-ებში. მი დევენ ხელოსნობას, ვაჭრობას. რელიგიი უმრავლესობა მუსლიმანია.

სუაჰილი ენა, კისუაჰილი, ტა ზანიისა და კენიის ოფიციალური ენ გავრცელებულია სხვა მეზობელ ქვე ნებშიც. ს. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. მლნ. კაცი. განეკუთვნება ბანტუ ენა ოჯახს. აქვს 20-მდე დიალექტი; ს. ე-ზ 33 ფონემაა: 5 ხმოვანი, 28 თანხმოვან დამწერლობას საფუძვლად უდევს ლა ანბანი.

ლიტ.: Мячина Е. И., Язык су хили, М., 1960; Loogman A., Swahi grammar and syntax. Louvain, 1965.

სუაჰილური ლიტერატურა, აღმ. აფ რიკის ქვეყნებში — კენიაში, უგანდაში ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკ ში, მალავიში, კ. მაფიაზე მცხოვრებ *სუაჰილი ენაზე* მოლაპარაკე ხალხებ ლიტ-რა. ზეპირსიტყვიერება მდიდარი მრავალფეროვანი აქვთ: დამახასიათებ ლია ადგილ. ფოლკლორული სიუჟეტებ ან არაბ. ზღაპრების სიუჟეტებთან შერ წყმა. ყველაზე ადრინდ. ლიტ. ნაწარმო ებია პოემა „თქმულება ლიონგოზე“ (IX—XIV სს.). უფრო მოგვიანებით შეიქმნა ისტ. ქრონიკები (ხაბარი) და ისტ რელიგ. შინაარსის ეპიკური პოემები. რ ლიგ. შინაარსის პოემები დაკავშირებული აღმ. აფრიკაში ისლამის გავრცელებას თან. აღსანიშნავია აბდ ალ-ქერიმ ბი ჯამალდინის პოემა „მაჯიმაჯი“. XX დასაწყისისათვის გაფართოვდა საერო თე მატიკა, გაჩნდა ახ. ჟანრები: ჰადისი ფუ (ნოველა), ჰადისი ნდეფუ (მოთხრობა) ეს ჟანრები პატარა თემებითა და ინტ მური განცდებითაა შემოფარგლული ახასიათებთ დეტექტივისა და რელიგ მორალიზაციის ელემენტები. პოპულარუ ლი ჟანრია ნარკვევი და მოგზაურობი ჩანაწერები. სუაჰილი ენაზე იქმნება რო მანებიც (რ. შააბანი, გ. 1962; ჯ. მბოტე ლის და სხვ.). პოეტურ ნაწარმოებებშ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ზეპირსიტყ ვიერებისათვის დამახასიათებელი ფორმ ბი (ამრი აბედი, 1924—64; მნიამპალა დ სხვ.).

ლიტ.: Жуков А. А., Миск гин В. М., О суахильской литературе წგნ.: Фольклор и литература народов Аф рики, М., 1970; Строганова И. П Литература и фольклор народа суахили «Краткие сообщения Ин-та этнографии АН СССР», 1949, т. 7.

სუბ... (ლათ. sub — ქვეშ, ახლოს, -თან) რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი აღნიშნავს: 1. რისამე ქვეშ ან ახლოს ყოფ ნას. მაგ., სუბტიტრი, სუბტროპიკები 2. დაქვემდებარებას მაგ., სუბორდინა ცია; 3. არაძირითადს, არამთავარს. მაგ. სუბარენდა.

სუბაკვალური აბაზანა (სუბ... დ ლათ. aqua — წყალი) ნაწლავების ს, ნაწლავების წყალქვეშა გამორეცხვ (თბილ აბაზანაში სპეც. აპარატურით) გამორეცხვისათვის იყენებენ სხვადასხვ სამკურნ. ხსნარს, კურორტებზე — ბუნებ რივ მინერ. წყალს. ს. ა-ები იხმარებ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა დ სანაღვლე გზების ზოგიერთ დაავადები დროს.

სუბალპური მალალბალახეულობა ბალახოვანი მცენარეულობის ტიპი კავ კასიისა (განსაკუთრებით მის დას. ნა



სუბალპური მცენარეები. სუბალპური მაღალბალახეულობა. ჭარბობს დიყი.

ილში) და პალეარქტიკის მთიან რ-ნებში. შექმნილია უხეშლეროიანი, ფესურიანი, ბოლქვიანი, დიდფოთლებიანი და ბალახაგვარი მცენარეებით, რ-თა სიმაღლე 1,5—3 *მ* აღწევს. ს. მ. ვითარდება ტენიანი ჰავის პირობებში და ნაკლებ ადგილებში, ზ. დ. 1500—2200 *მ* სიმაღლეზე. ს. მ. ან არყნარ-წიფლნარში, ან ტყერჩხლიან ტანბრეცილ და პარკულ ტყეებში, ნაძვნარ-სოჭნარის ეტაპობებზე ჩნდება, ან წმინდა რაყას ქმნის. ს. მ-ის ენოზების თავისებურება პირველად აღწერეს ფრანგმა მოგზაურებმა და ბოტანიკოსებმა სომიემ და ლევიემ სვანეთში, ე. ნენსკრის სათავეებთან.

რ. გაჯნიძე.

სუბალპური მცენარეულობა, მაღალმთის მცენარეულობა მთის ტყის ზედა საზღვარსა და ალპური მდელოების ქვედა საზღვარს შორის. ს. მ. გავრცელებულია ძირითადად ზომიერი და სუბტროპ. სარტყლის მთებში (ალპები, კარპატები, კავკასია, დას. ტიან-შანი, ჰიმალაი), სადაც ნალექების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და შედარებით თანაბრად არის განაწილებული წლის განმავლობაში. ს. მ-ის განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე თოვლის სქელი საფარი, რ-იც მცენარეულობას იცავს ზამთრის დაბალი ტემპერატურისაგან, ჰაერისა და ნიადაგის მაღალი ტენიანობა, გაპირობებული ზედა სარტყელში არსებული ყინულისა და თოვლის დნობით. სუბალპ. სარტყლის მცენარეულობა წარმოდგენილია შემდეგი დაჯგუფებებით; მაღალმთის მეჩხერი („პარკული" ტიპის) და ტანბრეცილი ტყეები, ართხმული ბუჩქნარი, მაღალბალახეულობა და მდელოები. ს. მ. იცვლება ტიანი სისტემის გეოგრ. მდებარეობის, ლთების ექსპოზიციისა და დახრილობის მიხედვით. კავკასიაში, კერძოდ, საართველოში, ს. მ-ის ქვედა საზღვარია . დ. 1800—2000 *მ*, ხოლო ზედა საზვარი ძლიერ ტენიან დას. კავკასიონზე 200—2300 *მ* აღწევს. შედარებით კონინენტური კლიმატის პირობებში ენტრ., აღმ. და დას. კავკასიონის ზოერთი ნაწილი) ს. მ. უფრო მაღლა 2500—2700 *მ*) იწევს. სუბალპ. სარტყლო პარკულ ტყეს ქმნის ლიტვინოვის არყი, ღმოსავლური წიფელი, სოსნოვსკის ფიჭა, მაღალმთის ნეკერჩხალი, აღმოსავური მუხა და სხვ.; ტანბრეცილ ტყეს ძირითადად — არყი, ჭნავი, უფრო იშვიად — წიფელი, პონტოური მუხა.

მაღალმთის გართხმულ ბუჩქნარებს ძიითადად დეკა და ღვიის გართხმული ბეობები ქმნის. დეკიანები უფრო გავრლებულია სუბალპ. სარტყლის ზედა ნაილში და გეხვდება როგორც არყნარის ეტყეში, ისე უტყეო ჩრდ.-დას. ექსპოციის კალთებზე, ღვიიანები კი—ძირიბად კარგად განათებულ, ამობურცულ ბრ. ექსპოზიციის ფერდობებზე.

მაღალბალახეულობა ძირითადად განთარებულია სუბალპ. სარტყლის ქვედა წილში, ნოჭიერ, საკმაოდ ტენიან ნიაგზე. ხშირად ის ხევებითა და ხრამეთ ტყის სარტყელშიც ჩამოდის. მისი ძირითადი კომპონენტებია დიყის, თაგყვიელას, მზიურას, დეზურას და სხვ. სახეები. ს. მ-ის მაღალბალახეულობა ვირდება აგრეთვე საქონლის ნაბინავებზე (მეორეული მაღალბალახეულო). სუბალპ. მდელოები გეხვდება როც მაღალმთის ტყის გაკაფულ ადგიებზე, ისე ტყის ზემოთაც. სუბალპ. ელოებში გამოიყოფა ფართოფოთლონი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი, მარცოვანი დაჯგუფებები. მათი ძირითადი მპონენტებია ფრინტა, ქართული და შველღეროიანი ნემსიწვერა, წვრილი ფართოფოთლიანი ნამიკრეფია, ჭრელი გაქასრა, ოქროს შვრიელა, ჭრელი ვანა, იისფერი ქერი, სამყურას, ბრძის სახეობები და სხვ. სუბალპ. მდელოები, როგორც სათიბი და საძოვარი, საკეთესო საკვები ბაზაა მთის მეცხოველეობისათვის. სამხრ. საქართვ. მაღალმთიანეთის ზოგიერთ ნაწილში სუბალპ. სარტყელი არ არის გამოხატული და მის ადგილს იკავებს მაღალმთის ველები და მთის ქსეროფიტები. *გ. ნახუცრიშვილი.*

სუბალპური სარტყელი, სიმაღლებრივი ბუნებრივი სარტყელი ზომიერი და სუბტროპიკული განედების მთებში, სადაც ძირითადად *სუბალპური მცენარეულობა* და ჰავაა. მდებარეობს ალპ. სარტყელსა და მთა-ტყის (ნოტიო რ-ნებში) ან მთა-სტეპის (მშრალ რ-ნებში) სარტყელს შორის. ს. ს-ის სიმაღლებრივი მდებარეობა დამოკიდებულია ადგილის განედზე, კალთის ექსპოზიციასა და ჰავის კონტინენტურობაზე. ალპებსა და დას. კავკასიონზე ს. ს. მდებარეობს 1700—2300 *მ* სიმაღლეზე, ჰიმალაის სამხრ. კალთებზე — 3200—4000 *მ*-ზე. დამახასიათებელია მთა-მდელოს ლანდშაფტები (სუბალპ. მაღალბალახეულობა განვითარებული მთა-მდელოს ნიადაგებზე) და თოვლის სქელი საბურველი 6—8 *თ* განმავლობაში, რაც აბრკოლებს ხემცენარეულობის განვითარებას. ს. ს-ში საუკეთესო საზაფხულო საძოვრებია.

სუბანტარქტიკული სარტყელი, გეოგრაფიული სარტყელი სამხრ. ნახევარსფეროში, ზომიერ (ჩრდ-ით) და ანტარქტიკულ (სამხრ-ით) სარტყლებს შორის (იხ. რუკა — დედამიწის გეოგრაფიული სარტყლები და ზონები, ქსე, ტ. 3, გვ. 112—113). მთელი სარტყელი ოკეანურია, დამახასიათებელია ჰაერის მასების სეზონური ცვლა: ზამთარში გაბატონებულია ანტარქტ. ჰაერი, ზაფხულში — ზომიერი განედებისა. ზამთარში მთელი აკვატორია უკავია თოვლით დაფარულ მცურავ ყინულებს, აისბერგებს; ხშირია ქარბუქი, ნისლი. ზამთარში ჰაერის საშ. ტემპერა —5-იდან —15°C-მდეა, წყლისა —1,5-იდან —2°C-მდე. ზაფხულში წყლისა და ჰაერის ტემპ-რა 0-იდან 2°C-მდეა. ნალექები უმთავრესად თოვლის სახით მოდის (500 *მმ* წელიწადში). ზაფხულობით აკვატორია ყინულებისაგან თავისუფლდება. დამახასიათებელია პლანქტონის სიუხვე (100—200 *მგ/მ*³). ს. ს. ვეშაპთრეწვის მთავარი რ-ნია. კუნძულებზე, რ-ებიც იშვიათია, გეხვდება მლიერები, ბალახი, ბუჩქნარი.

სუბარელები, *სუბართუს* მოსახლეობა, შედგებოდნენ ძირითადად ხურიტული წარმოშობის ტომებისაგან. „სუბარული" საკუთარი სახელების (პირთა, ღვთაებათა) და აქადურ ლექსიკონებში შემორჩენილი სუბარული სიტყვების დიდი ნაწილი აშკარად ხურიტულია, ნაწილს კი ჯერჯერობით ვერ ხსნიან ხურიტული ენის ნორმებით (ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ზაგროს-ელამური სამყაროდან მოდინარე). ი. გელბი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი ს-ს განასხვავებენ ხურიტული ეთნიკური ჯგუფისაგან, მაგრამ თანამედროვე მეცნ. ლიტ-რაში ამ მოსაზრებამ ფეხი ვერ მოიკიდა. როგორც ახლა ვარაუდობენ (ი. კლიმა, ა. კამენჰუბერი), უძველეს შუაბდინარულ ტექსტებში „სუბარულ ენად" მოიხსენიება საერთოდ არაშუმერული და არასემიტური ენები.

ლიტ.: Меликишвили Г. А., Древневосточные материалы по истории народов Закавказья, ч. 1 — Наири-Урарту, Тб., 1954.

გ. გიორგაძე.

სუბართუ (შუმერული—Subir, Subur), აქადური Subartu, Subartu), ქვეყანა ძვ. ახლო აღმოსავლეთში. მოიხსენიება ძვ. წ. III — I ათასწლ. შუამდინარულ ლურსმულ წყაროებში. ს. გეოგრაფიული ცნებაა. ამ სახელწოდებით ძვ. წ. III — I ათასწლეულში აღინიშნებოდა მთელი ჩრდ. მესოპოტამია მომიჯნავე რაიონებით — ბაბილონის ჩრდ-ით მდებარე ვრცელი მხარე (ასურეთის ჩათვლით), რ-იც მოიცავდა ტიგრის ზემო დინების აღმ-ითა და დას-ით, ისევე როგორც ევფრატის ზემო დინების აღმ-ით მდებარე ტერიტორიებს (ზოგჯერ ლურსმულ წყაროებში ს. საერთოდ „ჩრდილოეთის" აღსანიშნავადაც იხმარებოდა). ძვ. წ. II ათასწლეულში ძველაღმოსავლური წყაროების მიხედვით, ს. ძირითადად ხურიტებით დასახლ. ტერიტორია იყო. იგი მოიცავდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს. ს-ს სახელწოდებას მკვლევრები აიგივებენ ძვ. წ. I ათასწლ. მესოპოტამიური წყაროების „სუბრია, შუფრიასთან" (ამ სახელის მატარებელი ქვეყანა ვანის ტბის დას-ით მდებარეობდა).

ლიტ.: Меликишвили Г. А., Древневосточные материалы по истории народов Закавказья, ч. 1 —Наири-Урарту, Тб., 1954; Ungnad A., Subartu, B.—Lpz., 1936.

გ. გიორგაძე.

სუბარქტიკული სარტყელი, გეოგრაფიული სარტყელი ჩრდ. ნახევარსფეროში, არქტიკულ (ჩრდ-ით) და ზომიერ (სამხრ-ით) სარტყლებს შორის (იხ. რუკა — დედამიწის გეოგრაფიული სარტყლები და ზონები, ქსე, ტ. 3, გვ. 112—113). ს. ს. ოკეანეში ყინულის სეზონური გავრცელების საზღვრის ფარგლებშია. ჰავა ცივია. ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპ-რა 5-იდან 10°C-მდეა, ცივისა —5°C (უკიდურეს დას-ში), —30, —40 და —50°C-იც (ცენტრ. ნაწილში). ნალექები 300—500 *მმ* წელიწადში. თოვლის საბურველი 8 თვეზე დიდხანს დევს; გრუნტი დიდ სიღრმეზე იყინება. სარტყლის უფრო ცივ ნაწილში (ჩრდ-ით) გამოიყოფა *ტუნდრის ზონა*, თბილში (სამხრ-ით) — *ტყეტუნდრის ზონა*. ოკეანის წყლის ზედა ფენის ზაფხულის დადებითი ტემპ-რა, ჟანგბადით გაჯერება და ხანგრძლივი განათება ხელსაყრელ პირობებს ქმნის პლანქტონის განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ სარეწაო თევზისა და სხვა პირუტყვის სიმრავლეს განაპირობებს.

სუბდომინანტა მ უ ს ი კ ა ში, ერთერთი პარმონიული ფუნქცია, აგრეთვე ტონიკაზე კვინტით დაბლა მდებარე აკორდი (აღინიშნება S-ით). სუბდომინანტური აკორდების საფუძველია კილოს IV საფეხური, რ-საც აგრეთვე ს. ეწოდება. სუბდომინანტურ ფუნქციას ასრულებს II და VI საფეხურის აკორდებიც. ტონალობას, რ-ის ძირითად ტონიკას ს. წარმოადგენს, ეწოდება სუბდომინანტური.

სუბეკვატორული სარტყლები, გეოგრაფიული სარტყლები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროებში, ეკვატორულ და ტროპიკულ სარტყლებს შორის (იხ. რუკა — დედამიწის გეოგრაფიული სარტყლები და ზონები, ქსე, ტ. 3, გვ. 112—113). დამახასიათებელია ჰაერის მასების სეზონური ცვლა: ზაფხულობით გაბატონებულია ეკვატორული ჰაერი, ზამთრობით — ტროპიკული (პასატები). ეკვატორული მუსონური ჰავა ვლინდება გვალვიანი და წვიმიანი პერიოდების მორიგეობაში და განაპირობებს ბუნებრივი პროცესების სეზონურ რიტმულობას. საშ. თვიური ტემპ-რები 15-იდან 32°C-მდეა, ნალექები 250-იდან 2000 *მმ*-მდე წელიწადში. ნალექების 90—95% მოდის წვიმიან პერიოდზე, რ-იც 2—3-იდან 9—10*თ* -მდე გრძელდება. ლანდ-

შაფტური ზონები იცვლება მერიდიანული მიმართულებით: მუდმივად ნოტიო ტყე, სეზონურად ნოტიო ფოთოლმცვივანი (მუსონური) ტყე, ნოტიო მაღალბალახოვანი სავანა და სავანური ტყე, ტიპობრივი სავანა, გაუდაბნოებული სავანა და ნათელი ტყე. მთაში სიმაღლებრივი სარტყლურობის ტყემდელოს (ნოტიო რ-ნებში) და ტყესტეპის (გვალვიან რ-ნებში) სპექტრებია, ნიადაგები ლატერიტულია. ცხოველთა სამყაროს ტიპური წარმომადგენლები არიან: მცოხნავი ჩლიქოსნები, მტაცებლები, მღრღნელები, ტერმიტები. ოკეანეში ს. ს. შემოიფარგლება ჩრდ. პასატური დინების საზღვრებით. წყლის საშ. ტემპ-რა 25°C. ს. ს-ის ლანდშაფტები ძლიერ გარდაქმნილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობით, განსაკუთრებით სამხრ. და სამხრ.-აღმ. აზიაში. ფართოდ არის გავრცელებული საპლანტაციო კულტურები, მისდევენ სასაძოვრო მეცხოველეობას.

სუბერინი (<ლათ. suber — კორპის ხის ქერქი), ნივთიერება, რ-იც გამოიყოფა მცენარის მფარავი ქსოვილების უჯრედებიდან; უჯრედის გარსი იჟღინთება ს-ით და ხდება მისი გაკორპება. ს. ფელონისა და კორპის მჟავების გლიცერიდია. *კუტინის* მსგავსია, მაგრამ უფრო იშვიათად გვხვდება.

სუბიექტი (<ლათ. subjectus—ქვეშ, საფუძვლად მდებარე) გრამატიკაში, იხ. *ქვემდებარე*.

სუბიექტი და ობიექტი, თანაფარდობითი ფილოსოფიური კატეგორიები, რ-თა შორის მიმართების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ფილოსოფიაში. სუბიექტი აქტიურია, მოქმედების მატარებელია და ეს მოქმედება მიმართულია ობიექტზე. ობიექტი სუბიექტის წინამდგომია, მისადმია დაპირისპირებული. იგი სუბიექტის ზემოქმედების საგანია. იმისდა მიხედვით, თუ რა მოქმედებას ასრულებს სუბიექტი, იგი შეიძლება იყოს: პრაქტიკული (ამ შემთხვევაში სუბიექტი ასრულებს საგნობრივ-პრაქტ. მოქმედებას, რის შედეგად ობიექტი გარდაიქმნება წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით), შემმეცნებელი, თეორიული (როცა სუბიექტი ცდილობს თეორიულად აითვისოს ობიექტი ისე, როგორც იგი სინამდვილეში არსებობს), ესთეტიკური (ცდილობს მშვენიერების კანონების მიხედვით შექმნას ისეთი ობიექტი, რ-იც ესთეტ. ტკბობას მიანიჭებს ადამიანს), შემფასებელი (ცდილობს ღირებულების საფუძველზე შეაფასოს ობიექტი). შემფასებელი სუბიექტი ფილოს. ისტორიაში სხვადასხვანაირად იყო გაგებული: ერთეული ადამიანი ანუ ემპირიული სუბიექტი (იუმი) ან ადამიანი საზოგადოდ, ზოგადადამიანური ცნობიერება ანუ ტრანსცენდენტალური სუბიექტი (კანტი), ან ზეადამიანური ცნობიერება (ღმერთი, ობიექტური გონი, იდეა) ანუ აბსოლ. სუბიექტი (ჰეგელი). მარქსიზმის თანახმად, სუბიექტი კონკრ.-ისტ. ადამიანია, რ-საც აქვს ცნობიერება და თვითცნობიერება, დაუფლებულია კაცობრიობის მიერ შექმნილ კულტ. შედეგებს და მოქმედებს პრაქტ. საფუძველზე. სუბიექტი შეიძლება იყოს ერთეული ადამიანი, სოც. ჯგუფი, კლასი, ხალხი. ობიექტი შეიძლება იყოს პრაქტ. გარდაქმნის, შემეცნებას, ესთეტ. ტკბობის ან შეფასების საგანი. ახ. დროის ფილოსოფიაში წინ წამოიწია სუბიექტისა და ობიექტის მიმართების გნოსეოლოგიურმა ასპექტმა. გნოსეოლოგიაში ეს საკითხი დგას შემეცნების თვალსაზრისით. სუბიექტი შემმეცნებელია, ხოლო ობიექტი — შესამეცნებელი. ობიექტი, როგორც შემეცნების საგანი, შეიძლება იყოს სინამდვილის ნებისმიერი მოვლენა — მატერ. და არამატერ. (ფსიქ., იდეალური). შემეცნების ობიექტი და სინამდვილე არ ემთხვევა ერთმანეთს. შემეცნების ობიექტი სინამდვილის ის ნაწილია, რ-იც პრაქტიკით გაშუალებული შემოდის სუბიექტის ყურადღების არეში. მაგ., ელემენტარული ნაწილაკი ობიექტურად არსებობს როგორც სინამდვილის ნაწილი, მაგრამ ის შემეცნების ობიექტი გახდა XX ს-ში, რადგან მხოლოდ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი ხელსაწყოები, რ-ებმაც მისი შესწავლა შესაძლებელი გახადა. ამიტომ შემეცნების ობიექტი პრაქტიკით გაშუალებული სინამდვილის განსაზღვრული ნაწილია. პრაქტიკის განვითარების კვალობაზე შემეცნების ობიექტის საზღვრებიც ფართოვდება. შემეცნების პროცესში სუბიექტი კი არ შორდება, კი არ ამახინჯებს ობიექტს, არამედ მის თეორ. რეპროდუქციას ახდენს იმით, რომ ადეკვატურად ასახავს მას. შემეცნების ბუნების ამგვარი გაგებით მარქსიზმი უარყოფს ორ უკიდურესობას, რ-თაც ადგილი ჰქონდათ ფილოს. ისტორიაში. ერთი მათგანის თანახმად, სუბიექტი შეიმეცნებს მხოლოდ ცდაში „უშუალოდ მოცემულს" და არა თვითონ სინამდვილეს (პოზიტივიზმი, ფენომენალიზმი), მეორის თანახმად კი სუბიექტი თვითონ ქმნის ობიექტს იმით, რომ ახდენს თავისი ცნობიერების ობიექტივაციას (კანტიანელობა, ნეოკანტიანელობა), მარქსიზმის თანახმად კი სუბიექტი შეიმეცნებს ობიექტს პრაქტიკის საფუძველზე.

ლიტ.: მარქსი კ., თეზისები ფოიერბახის შესახებ, მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; ლენინი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14; მისივე, ფილოსოფიური რვეულები, იქვე, ტ. 38; Лекторский В. А., Субъект, объект, познание, М., 1980; Рубинштейн С. Л., Бытие и сознание, М., 1957. *ვ. ერქომაიშვილი.*

სუბიექტივიზმი, მსოფლმხედველობრივი პოზიცია, რ-ისთვისაც დამახასიათებელია ობიექტური კანონზომიერების უარყოფა, სუბიექტური ფაქტორის გაზვიადება, ტენდენციურობა და სხვა თვითნებობა. იგი თავს იჩენს ადამიანთა როგორც სულიერ, ისევე პრაქტ. მოღვაწეობაში. შემეცნების პროცესში, ს-ს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საგანს განიხილავენ არა მისი ობიექტური ბუნების, არამედ სუბიექტის ინტერესების მიხედვით. ცოდნის საგანს ქმნის თვითონ სუბიექტი. ფილოსოფიაში ს-ის სახეა სუბიექტური იდეალიზმი. ს. არსებობს სოციოლოგიაშიც, რ-ის თანახმად, ადამიანები ისტორიას ქმნიან თვითნებურად, ყოველგვარი ობიექტური პირობებისაგან დამოუკიდებლად. იგი უარყოფს ობიექტური კანონზომიერების არსებობას საზ-ბის განვითარებაში, ადამიანთა პრაქტ. მოღვაწეობაში. მისი გამოვლენის ფორმაა ვოლუნტარიზმი, ე. ი. ისეთი თვალსაზრისი, რ-ის მიხედვით ადამიანთა საქმიანობა ემყარება არა ობიექტურ კანონებსა და საზ-ბაში დადგენილ ნორმებს, არამედ საკუთარ სურვილებსა და თვითნებურ გადაწყვეტილებებს. მარქსიზმი გადაჭრით უარყოფს ს-ის ყოველგვარ გამოვლენას. *ვ. ერქომაიშვილი.*

სუბიექტური იდეალიზმი, იდეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაირსახეობა, რ-ის მიხედვით ადამიანური ცნობიერების სტრუქტურა განსაზღვრავს სამყაროს თვისებურებას. სინამდვილე დამოკიდებულია ადამიანის ცნობიერებაზე. ს. ი. გნოსეოლოგიურ, მაგრამ არა ონტოლოგიურ ასპექტში უარყოფს ობიექტურ რეალობას და თუ მაინც უშვებს გარესამყაროს არსებობას, მიიჩნევს მას პრინციპულად შეუმეცნებლად. მისთვის ობიექტური სამყარო მხოლოდ რწმენისა და არა ცოდნის ობიექტია. ს. ი-ის მიხედვით ადამიანური ცნობიერება არის აქტ. საწყისი, რ-იც განსაზღვრავს საგნის არსებობა-არარსებობას. ს. ი-ს სოფისტებმა ჩაუყარეს საფუძველი. ახ. დროში ბერკლიმ, იუმმა, კანტმა და ფიხტემ აალორძინეს მისი იდეები. XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში წარმოიშვა და შემდგომ განვითარდა ს. ი-ის სხვადასხვა მიმდინარეობა (ნეოკანტიანელობა, იმანენტიზმი, მახიზმი, ლოგიკური პოზიტივიზმი, ეგზისტენციალიზმი და სხვ.). ს. ი-ის ნაირსახეობათა სიმრავლეს სუბიექტისა და მისი ცნობიერების ბუნების სხვადასხვაგვარი გაგება განაპირობებს. ზოგი ამოსავლად მიიჩნევს ინდივიდ. სუბიექტის ცნობიერების ფსიქ. (ბერკლი, იუმი) ან ბიოფსიქ. (მახი, ავენარიუსი) სტრუქტურას და ამ კუთხით განიხილავს სინამდვილეს. მათთვის საგანი შეგრძნებათა ერთობლიობაა. ზოგი საერთო-ადამიანური ცნობიერების ლოგიკურ-კატეგორიალური სტრუქტურის საფუძველზე განიხილავს სინამდვილეს (კანტი, ფიხტე), ზოგი კი საწყისად იღებს ადამიანის პრაქტ. აქტუალურ, ემოციურ მხარეს (პრაგმატიზმი, ეგზისტენციალიზმი). ს. ი-ის ძირითადი შეცდომაა სუბიექტისა და მისი ცნობიერების აბსოლუტიზაცია. თანამიმდევრულ ს. ი-ს მივყავართ *სოლიფსიზმამდე* და რელატივიზმამდე. *გ. ერქომაიშვილი.*

სუბიტო (იტალ. subito, სიტყვასიტყვით — უეცრად, მოულოდნელად) მუსიკაში ხმის სიმაღლის უეცარი, მკვეთრი შეცვლა. აღინიშნება სიტყვებით — forte subito — უეცრად ხმამაღლა, piano subito — უეცრად ხმადაბლა.

სუბკონტროქტავა მუსიკაში, ყველაზე დაბალი *ოქტავა*.

სუბლიმაცია (გვიანდ. ლათ. sublimatio — ამაღლება < ლათ. sublimo — მაღლა ამყავს), აქროლება, ნივთიერების გადასვლა კრისტალური მდგომარეობიდან უშუალოდ (დნობის გარეშე) აირისებრში; ხდება სითბოს შთანთქმით (1-ლი გვარის ფაზური *გადასვლა*). ს. ორთქლწარმოქმნის ერთ-ერთი ნაირსახეა; ს. შესაძლებელია იმ ტემპ-ებისა და წნევების ყველა ინტერვალში, რ-თა დროსაც მყარი და აირისებრი ფაზები თანაარსებობენ. ს-თვის აუცილებელ ენერგიას ს-ის სითბოს უწოდებენ. დამოკიდებულება ს-ის სითბოსა, მყარ სხეულზე მოქმედი ნაგები ორთქლის წნევასა და ტემპ-რას შორის წონასწორული გადასვლის პირობებში გამოისახება *კლაპეირონ—კლაუზიუსის განტოლებით*. ლითონური კრისტალების ს. იწვევს ერთატომიანი ორთქლის წარმოქმნას. იონური კრისტალები აორთქლებისას აირულ ფაზაში ხშირად წარმოქმნიან პოლარულ მოლეკულებს, მოლეკულური კრისტალები კი—მოლეკულებისაგან შედგენილ ორთქლს. ძირითადი კინეტიკური მახასიათებელია ს-ის სიჩქარე — ნივთიერების მასა, რ-იც დროის ერთეულში განიცდის სუბლიმაციას. ნივთიერების ს-ის ზღვრული სიჩქარის დამოკიდებულება ტემპ-რასა და აირისებრი ფაზის თვისებებზე განსაზღვრავს მათ შერჩევას კოსმ. აპარატურის თბოდაცვისათვის. ს-ს ფართოდ იყენებენ აგრეთვე მყარი სხეულის გასაწმენდად.

სუბლიმაცია ფსიქოლოგიაში, აფექტური ლტოლვის ენერგიის გადართვისა და გარდაქმნის ფსიქიკური პროცესი სოციალურად მისაღებ მიზნებსა და კულტურულ შემოქმედებაზე. ცნება შემოიღო ზ. ფროიდმა 1900 თავის მიერვე შემუშავებულ ფსიქოანალიზის კონცეფციაში, სადაც ს. განხილულია როგორც ლტოლვის (ლიბიდოს) ტრანსფორმაციის ერთ-ერთი სახე, რ-იც გამოიყენება შემოქმედების ფსიქოლ. მექანიზმის ასახსნელად. ფროიდი, რ-ის აზრით, შემოქმედება შინაგანი დაძაბულობისა და კონფლიქტების განმუხტვის ერთ-ერთი საშუალებაა; ეშვება ბიოლ. დეტერმინიზმის პოზიციებზე.

სუბლიმაციური შრობა საკვები პროდუქტებისა, დაკონსერვების ხერხი; გაყინული პროდუქტების გაუწყლოება *სუბლიმაციით* იხ. სტატიაში *შრობა*.

სუბლიტორალი, სიცოცხლის განვითარების ზონა ზღვის ფსკერზე, რ-იც დაკავშირებულია *შელფთან* და ახასიათებს ცხოველებისა და მცენარეების გარკვეუ-

ლი კომპლექსი. ხმელეთის მხრიდან ს-ს ესაზღვრება *ლიტორალი*, ხოლო ოკეანისკენ თანდათან გადადის *ბათიალში*. ეს გარდამავალი ჰორიზონტი ოკეანის სხვადასხვა რ-ნში მერყეობს 200-იდან 500—1000 *მ* სიღრმემდე. აქ შეიმჩნევა ფაუნის აღრევა. ს-ის სიგანე დამოკიდებულია შელფის სიგანეზე და მერყეობს რამდენიმე *კმ*-იდან ასეულ *კმ*-მდე.

ს. ზღვის ყველაზე პროდუქტიული ზონაა, გამოირჩევა ცოცხალი ორგანიზმების სიმრავლითა და მრავალგვარობით. ს-ში თავმოყრილია სარეწი თევზების ფსკერული სახეობების, უხერხემლო ცხოველებისა და მცენარეების ძირითადი მარაგი.

სუბმილიმეტრული ტალღები, რადიოდიაპაზონის ყველაზე მოკლე ტალღები (ტალღის სიგრძე 10^{-3}-იდან $5 \cdot 10^{-3}$ *მ*-მდე, სიხშირე $3 \cdot 10^{11}$—$6 \cdot 10^{12}$ *ჰც*). გავრცელებისას ს. ტ. ძლიერ შთაინთქმება დედამიწის ატმოსფეროს შემადგენელი აირებითა და წყლის ორთქლით. ს. ტ. ოპტიკური დიაპაზონის ტალღებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს *კოსმოსური კავშირისათვის*.

სუბორბიტული შრენა, კოსმოსური საფრენი აპარატის ფრენა ბალისტიკურ *ტრაექტორიაზე* პირველ კოსმოსურ სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარით, ე. ი. ფრენა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გასვლის გარეშე.

სუბორდინაცია ფიზიოლოგიაში, გავლენა, რ-საც ცენტრალური ნერვული სისტემა (ცნს) განუწყვეტლად ახდენს პერიფერიული ნერვული სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე, აგრეთვე ცნს-ის გარკვეული განყ-ბების გავლენა სხვა განყ-ბების ფუნქციურ მდგომარეობაზე. ცნს-ის გავლენა პერიფერიული ნერვების აგზნებადობაზე პირველად ი. *სეჩენოვმა* შენიშნა 1863, ტერმ. „ს." კი შემოიღო ფრანგმა ფიზიოლოგმა ლ. *ლაპიკმა* (1928), რ-იც სწავლობდა ცნს-ის გავლენას პერიფერიული ნერვების *ქრონაქსიაზე*. სუბორდინაციული გაელენა იწვევს გაღიზიანების ზღურბლის, ქრონაქსიის, რეფრაქტერული პერიოდის, აკომოდაციის, ლაბილობისა და აგზნების გავრცელების სისწრაფის ცვლილებებს.

გ. მაჭავარიანი.

სუბოტიცა, ქალაქი იუგოსლავიაში, სერბიის სრ-ში, ვოევოდინის სოციალ. ავტონ. მხარის ჩრდ. ნაწილში. 100,2 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მემარცვლეობის რ-ნის ცენტრი. კვების მრეწვ., ლითონდამუშავება და მანქანათმშ. (განსაკუთრებით ელექტროტექ. და სას.-სამ. მანქანათმშ.), ქიმ., საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ხის დასამუშ. მრეწვ.; დიდი სტამბები.

სუბპროდუქტები, დაკლულ ცხოველთა აქნით მიღებული საკვები პროდუქტების (ნაკლავის ხორცის გარდა) საწარმოო სახელწოდება. ცხოველთა დაკვლისთანავე ს-ს უტარებენ სანიტ.-ვეტ. ექსპერტიზას. საჭიროების შემთხვევაში ატარებენ მიკრობიოლ., ფიზ.-ქიმ. და ჰისტოლოგიურ გამოკვლევებს. ს-ს სამედ. პრეპარატებისა და საკვები ფხვნილის დასამზადებლადაც იყენებენ. ყველაზე ძვირფასი ს-გან (ღვიძლი, ტვინი, თირკმელი, ენა) ამზადებენ სხვადასხვა კერძსა და კონსერვს. საყლაპავი მილისაგან, დიაფრაგმისაგან, თავის ხორცისაგან, გულისა და ფილტვებისაგან კი—ძეხვს. როგორც წესი, გასაყიდად უშვებენ ახ. ან 0—4°C-მდე გაცივებულ ს-ს.

სამედ. პრეპარატების დასამზადებლად დაკვლისთანავე გაყინული (—20°C) ს-გან. მაგ., ღვიძლისაგან, ღებულობენ ვიტამინ B_{12}-ის პრეპარატს. საკვებ ფხვნილს ამზადებენ დაბალი კვებითი ღირებულების ს-გან (ელენთა, თავი, ტრაქეა, ფილტვები და სხვ.).

სუბრეტი (ფრანგ. soubrette, იტალ. servetta), ამპლუა, ეშმაკი, მოხერხებული, გონებამახვილი მოსამსახურე ქალისა, რ-იც თავის ბატონს ხელს უწყობს სასიყვარულო ინტრიგაში. აღმოცენდა იტალ. კომედია დელ 'არტეში (სერვეტა) და შემდეგ გავრცელდა ფრანგ. კომედიაში. ამ ამპლუასაა დორინისა და ტუანეტის (მოლიერის „ტარტიუფი" და „ძალად ავადმყოფი"), სიუზანის (ბომარშეს „შეშლილი დღე ანუ ფიგაროს ქორწინება") როლები და სხვ. XVIII—XIX სს. ს-ის ამპლუა გაჩნდა რუს., ქართ. თეატრებში (კომედიებში, ვოდევილებში).

სუბსიდია (ლათ. subsidium — დახმარება, მხარდაჭერა), დახმარება, უპირატესად ფულადი ხელისუფლების ადგილ. ორგანოებს, იურიდ. და ფიზ. პირებს, სხვა სახელმწიფოებს.

სოციალ. ქვეყნებში ს. არ გამოიყენება.

სუბსტანცია (ლათ. substantia — არსი, საფუძვლად მდებარე რამ), ფილოსოფიური კატეგორია, რ-იც აღნიშნავს მოვლენათა მუდმივ, უცვლელ, თავისთავად, პირველ საწყისს. იგი საკუთარი საფუძვლის მქონეა. აღიარებდნენ ან ერთ (მონიზმი) ან ორ (დუალიზმი) ან მრავალ (პლურალიზმი) ს-ს. ფილოს. ისტორიაში სხვადასხვა ობიექტს (მატერიას, სულს, ეონს და ა. შ.) მიიჩნევდნენ ს-დ. მარქსიზმის მიხედვით ს. არის მატერია მთლიანად და არა მისი რომელიმე კონკრ. ნარისახეობა. პოზიტივიზმი საერთოდ უარყოფს ს-ის ცნების მეცნ. საზრისს და აძევებს მას ფილოსოფიიდან.

სუბსტიტუცია (გვიანდ. ლათ. substitutio < ლათ. substituo — ერთს ვცვლი მეორით), სამოქალაქო სამართალში — ანდერძში სათადარიგო მემკვიდრის დასახელება იმ შემთხვევისათვის, თუ ძირითადი მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს, საბჭ. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, სათადარიგო მემკვიდრეს იმ შემთხვევაში გამოიწვევენ, თუ ძირითადი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება ან უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მ. 548). ს-ს სხვა ქვეყნების კანონმდებლობანიც ითვალისწინებენ (მაგ., პოლონეთი, უნგრეთი).

სუბსტრატი ფილოსოფიაში (გვიანდ. ლათ. substratum, სიტყვა-სიტყვით — საფენი, საგებელი <ლათ. sub — ქვეშ და stratum — ფენა), განსხვავებული საგნების ან ერთეული საგნის განსხვავებულ თვისებათა ერთგვაროვნების მატერიალური საფუძველი; მასალა, რ-ისგანაც ესა თუ ის საგანი შედგება.

სუბსტრატი ენათმეცნიერებაში, მოსახლეობის მშობლიური ენა, რ-იც განდევნა მოსული ხალხის ენამ, მაგრამ რ-მაც შერევის პროცესის შედეგად გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე, აგრეთვე განდევნილი ენის გადმონაშთები მოსული ხალხის ენაში.

სუბტროპიკული კულტურები, უმთავრესად მრავალწლოვანი, მარადმწვანე იშვიათად ფოთოლმცვივანი ხეები, ბუჩქები ან ბალახოვანი მცენარეები, რ-ებიც მოჰყავთ სუბტროპიკულ რ-ნებში. სსრკ-ში კულტივირებულ ს. კ-ს განეკუთვნება ციტრუსები (ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, გრეიფრუტი), სამხრეთის ხეხილი (ხურმა, ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი, იაპონური ზღმარტლი, ფეიხოა). კაკალნაყოფიანები (ნუში, პეკანი, თხილი და სხვ.), ტექ. კულტურები (ევკალიპტი, ტუნგი, ბამბუკი, კეთილშობილი დაფნა, შაქრის ლერწამი, ჩაი და სხვ.), დეკორ. მერქნიანები (კვიპაროზი, მაგნოლია, პალმები, სეკვოია და სხვ.). სსრკ ტენიან სუბტროპიკებში მოჰყავთ ჩაი (ძირითადი კულტურაა), აგრეთვე ხეხილი: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი, ფეიხოა, ზღმარტლი, ლეღვი, ზეთისხილი, ხურმა, პეკანი და სხვ. შუა აზიის მშრალ სუბტროპიკებში წარმატებით ხარობს ბამბა, შირბახტი, ეთერზეთოვნებიდან — გერანი, ტექ. კულტურებიდან — შაქრის ლერწამი. მშრალსა და ნახევრად მშრალ სუბტროპიკებში მოჰყავთ ხურმა, ლეღვი, ბროწეული, ხურმა, ზეთისხილი, უნაბი და სხვ.; ყირიმში—კაზანლიკის ვარდი, ლავანდი, აგრეთვე ეთერზეთოვანი მცენარეები; თურქმ. სამხრეთით ფართოდ არის გავრცელებული ფინიკის პალმა და სხვ.

„სუბტროპიკული კულტურები", სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჟურნალი, დაარსდა 1939 მახარაძე—ანასეულში, გამოდის იქვე ქართ. და რუს. ენებზე წელიწადში 6-ჯერ. აშუქებს სუბტროპ. კულტურების აგროტექ. გენეტიკის, სელექციის უახლეს პრობლემებსა და მიღწევებს, სუბტროპ. კულტურათა პროფილის სამეცნ.-კვლ. დაწესებულებების მუშაობის შედეგებს. ჟურნალში თანამშრომლობენ სუბტროპ. კულტურების დარგში მომუშავე მეცნ. მუშაკები, წარმოება-დაწესებულებათა ნოვატორები და ხელმძღვანელები. ტირაჟი 2500 (1984). *გ. ქვესაძე.*

სუბტროპიკული მეხილეობა, აგრონომიული მეცნიერების დარგი, რ-იც სწავლობს მრავალწლოვან სუბტროპიკულ ხეხილოვან კულტურებს. დარგი შეიქმნა საბჭ. აგრონ. მეცნ. მიღწევების საფუძველზე გეგმიანი მეურნეობისა და მაღალი აგროტექ. გამოყენების პირობებში. ს. მ. მოიცავს კულტურებს: ციტრუსებს, ხურმას, ლეღვს, ბროწეულს, ზეთისხილს, ფეიხოას, ზღმარტლს, ავოკადოს, უნაბს, კაკალს, თხილს, ნუშს, პეკანს, ფსტას, წაბლსა და სხვ. ამ მცენარეთა ნაყოფი გამოირჩევა გემოთი, არომატით, მაღალი კვებითი ღირსებებით, საუკეთესო ნედლეულია საკონსერვო და საკონდიტრო წარმოებისათვის.

საქართველოში სუბტროპ. ხეხილოვანი კულტურები რამდენიმე საუკუნის წინათ არის შემოტანილი. მაშინ მათ ნარგაობას ძალზე მცირე ფართობი ეკავა. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ამ კულტურების გავრცელებას სერიოზული ყურადღება მიექცა. ს. მ-ის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1931 თბილისში „ლიმონტრესტის" დაარსებამ. საქართველოში სუბტროპ. კულტურების ბაზაზე მუშაობს 30 საბჭ. მეურნეობა, 10-მდე ციტრუსების გადასამუშ. ქ-ნა. ს. მ-ის განვითარებისათვის, კერძოდ, მისი აგროტექ. დასამუშავებლად საყურადღებო სამეცნ.-კვლ. მუშაობას ატარებს სსრკ სოფ. მეურნ. სამინისტროს ჩაისა და სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება (მახარაძე-ანასეული). ნაყოფიერ სამეცნ.-კვლ. მუშაობას ატარებს აგრეთვე სოხუმის სუბტროპ. კულტურების საცდელი სადგ., სოჭის საცდელი სადგ., მშრალი სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (ტაჯ. სსრ) და სხვ. გამოყვანილი და დანერგილია ციტრუსების, ხურმის, ფეიხოას, ბროწეულისა და სხვა სუბტროპ. კულტურების ახ. ჯიშები და ფორმები.

საქართველოში სუბტროპ. ხეხილის ნარგაობას დაახლ. 70 *ათ. ჰა.* ფართობი უკავია (1983). აქედან 24 *ათ ჰა* ციტრუსებია, რ-თა ყოველწლ. პროდუქციამ X ხუთწლედში საშუალოდ 300 *ათ ტ*-ს მიაღწია. ს. მ-ის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის უაღრესად საგულისხმო ღონისძიებებია დასახული სკკპ ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ზრდისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ", რაც ხელს უწყობს XI ხუთწლედში (1981—85) ს. მ-ში უფრო დიდი, მასშტაბური სამუშაოების ჩატარებას და უხვი და მყარი პროდუქციის მიღების უზრუნველყოფას.

ლიტ.: ლეკვეიშვილი ი., ციტრუსოვანთა წარმოების მეცნიერული საფუძვ-



ვ. სუბაი.

ლები, ნაწ. 1—2, თბ., 1978—79; ლ ე კ ვ ე ი შ ვ ი ლ ი ი., ბ ე რ ა ი ა ი., სუბტროპიკული კულტურები, თბ., 1965; О с е н о в а Е. Х., Л е м е ш е н к о И. М., М о т о р и н о в а Р. Н., Субтропические и тропические плоды, М., 1969.

ი. ლეკვეიშვილი.

სუბტროპიკული სარტყლები, სუბტროპიკები, გეოგრაფიული სარტყლები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროებში, ტროპიკულ და ზომიერ სარტყლებს შორის (იხ. რუკა—დედამიწის გეოგრაფიული სარტყლები და ზონები, ქსე, ტ. 3, გვ. 112—113). დამახასიათებელია ტროპ. და ზომიერი კლიმ. რეჟიმების მორიგეობა, რაც გამოწვეულია ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის სეზონური რიტმებით, ს. ს. ზაფხულობით განიცდის პასატური ჰავის, ხოლო ზამთრობით ზომიერი სარტყლების ციკლონური ცირკულაციის გავლენას. ზაფხულის საშ. თვიური ტემპ-რა 20°C-ზე მეტია, ზამთრისა 4°C-ზე მეტი, პოლარული ჰაერის მასების შემოჭრის დროს შესაძლებელია წყაინვები (ზოგჯერ —10°C-მდე). ატმ. ნალექების რაოდენობა კლებულობს ოკეანისპირა რ-ნებიდან კონტინენტის შუაგულისაკენ, რაც იწვევს ჰავის კონტინენტურობის ზრდას და ლანდშაფტის შეცვლას. ყოველ კონტინენტზე ს. ს. სამ ძირითად სექტორად იყოფა: დასავლეთ ოკეანისპირა, ანუ ხმელთაშუაზღვისა, ზამთარში დანესტიანებული; კონტინენტური, წლის განმავლობაში მცირედ დანესტიანებული და აღმოსავლეთ ოკეანისპირა, ანუ მუსონური, ზაფხულში ჭარბად დანესტიანებული. დას. ოკეანისპირა სექტორებში განვითარებულია ნახევრად მშრალი სუბტროპიკები — ხმელთაშუა ზღვის ხეშეშფოთლიანი ტყისა და ბუჩქნარის ზონა, რ-იც ჩრდ. ნახევარსფეროში სამხრ.-აღმ-კენ იცვლება რუხ-ყავისფერ ნიადაგებზე განვითარებული სუბტროპ. სტეპის ზონით; უფრო აღმ-ით ამ ზონას ესაზღვრება კონტინენტური სექტორის სუბტროპ. ნახევარუდაბნოსა და უდაბნოს ზონები — მშრალი სუბტროპიკები. სამხრ. ნახევარსფეროში ს. ს-ის კონტინენტურ სექტორებში რუხ-ყავისფერ ნიადაგებზე განვითარებულია სუბტროპ. სტეპის ზონა, ხოლო აღმ. ოკეანისპირა სექტორში — მურა-ყვითელ, ყვითელ და წითელ ნიადაგებზე — ნოტიო სუბტროპიკები.

სსრკ-ში სუბტროპიკები გავრცელებულია ს. ს-ის უკიდურეს ჩრდ. საზღვართან. აქ გამოიყოფა: ნოტიო სუბტროპიკები — შავი ზღვის კავკ. სანაპიროს ცენტრ. და სამხრ. ნაწილსა და კოლხეთის დაბლობზე, ნახევრად ნოტიო სუბტროპიკები — ლენქორანის დაბლობზე, ხმელთაშუაზღვის ნახევრად მშრალი სუბტროპიკები შავი ზღვის კავკ. სანაპიროს ჩრდ. ნაწილსა და სამხრ. ყირიმში, მშრალი სუბტროპიკები — ალაზნის ველზე, მტკვარ-არაქსის დაბლობსა და შუა აზიის უდაბნოების სამხრ. ზოლში. ს. ს-ის მთებში განვითარებულია ტყე-მდელოს ვერტ. სარტყლების სპექტრები ნოტიო კალთებზე და ტყესტეპისა—მშრალ კალთებზე. ს. ს-ში ტყეები თითქმის გაჩეხილია და შეცვლილია კულტლანდშაფტით. ცხოველთა სამყაროსთვის დამახასიათებელია ზომიერი და ტროპ. სარტყლების სახეობების აღრევა. ს. ს-ის ფარგლებში ოკეანის წყლის ტემპ-რა მაღალია (15—16°C). ოკეანის წყლის სუსტი ვერტ. აღრევა ამცირებს წყალში ჟანგბადისა და პლანქტონის შემცველობას, რის გამოც ამ ფარგლებში სარეწაო თევზი ნაკლებადაა.

სუბტროპიკული სარტყლების ნახევარუდაბნოს ზონები, ხმელეთის ბუნებრივი ზონები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროში. გავრცელებულია წყვეტილად უმთავრესად მთიანეთში, სადაც მთისწინა უდაბნოებიდან მთის სტეპისაკენ გარდამავალ სიმაღლებრივ სარტყელს ქმნის. გვხვდება ირანის მთიანეთში, დას. აზიის, ჩრდ. აფრიკის, კლდოვან (ჩრდ. ამერიკა), ფლინდერზის (ავსტრალია) მთებში, კარუს პლატოზე (სამხრ. აფრიკა), ანდების მთისწინეთსა და აღმ. კალთებზე (სამხრ. ამერიკა). ჰავა კონტინენტურია, იცის ცხელი ზაფხული (ჰაერის ტემპ-რა 20—25°C) და გრილი ზამთარი. ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 210—310 *კჯ/სმ²* (50—75 *კკალ/სმ²*) სითბოს. ნალექები 200 *მმ* წელიწადში. მცენარეულობიდან ხარობს მარცვლოვანი ბალახეული და ბუჩქოვანი ფორმაციები, სუკულენტები. იყენებენ საძოვრებად. გავრცელებულია სარწყავი მიწათმოქმედება.

სუბტროპიკული სარტყლების სტეპის ზონები, ხმელეთის ბუნებრივი ზონები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროებში, ჩრდ. და სამხრ. განედების 25 და 40° შორის. გავრცელებულია სსრკ-ში მტკვარ-არაქსის დაბლობზე; ჩრდ. ამერიკაში — დიდი ვაკეების სამხრ. ნაწილში, კოლორადოს პლატოზე, კალიფორნიასა და მექს. მთიანეთის შიგა რ-ნებში; სამხრ. ამერიკაში—ლა-პლატის დაბლობზე (პამპა) და ანდების აღმ. მთისწინეთში; ავსტრალ. სამხრ. და სამხრ.-დას. ვაკეებზე. ჰავა მშრალია და თბილი. ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 580—750 *კჯ/სმ²* (140—180 *კკალ/სმ²*) სითბოს. იცის უთოვლო ზამთარი. ყველაზე ცივი თვის საშ. ტემპ-რაა 5—12°C. ზაფხული ცხელია და გვალვიანი. ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპ-რაა 20—25°C. ნალექები 500—600 *მმ* წელიწადში. კონტინენტების ს. ს. ს. ზ-ის აღმ. სექტორებში ნალექების მაქს. ზაფხულშია, დას. სექტორებში — ზამთარში. მდ-ები წყალმცირეა. ზოგი მდინარე მშრალ სეზონში შრება. ბუნებრივ ლანდშაფტებში ჭარბობს ბალახოვანი მცენარეულობა და ბუჩქნარი. მდინარეთა ხეობების გასწვრივ ჭალის ტყეებია. ნიადაგები მდიდარია რკინისა და ალუმინის ჟანგით, რაც განაპირობებს მათ ყავისფერ და მოწითალო შეფერილობას. ცხოველებიდან ბინადრობენ მღრღნელები, სწრაფმორბენალი ჩლიქოსნები, ქვეწარმავლები. ს. ს. ს. ზ-ში განვითარებულია სასაძოვრო მესაქონლეობა და სარწყავი მიწათმოქმედება.

სუბტროპიკული სარტყლების ტყე-სტეპის ზონები, ბუნებრივი ზონები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროებში. დამახასიათებელია ტყისა და სტეპის ლანდშაფტების მონაცვლეობა. გავრცელებულია ჩრდ. ამერიკის (ცენტრ. ვაკეებსა და მექსიკისპირა დაბლობზე) და სამხრ. ამერიკის (ბრაზ. ზეგნის სამხრ. ნაწილში და პამპის აღმ-ით) სუბტროპიკებში. ს. ს. ტ. ზ-ის ფრაგმენტებია აფრიკის სამხრ. და სამხრ.-აღმ. ნაწილში, ავსტრალიაში (მდ. მურეის აუზის უკიდურეს აღმ. ნაწილი). ევრაზიაში თითქმის არ არის. ჰავა სუბტროპიკულია, მუსონური. ზამთარი თბილი (ჰაერის ტემპ-რა 4—12°C) იცის, ზაფხული ცხელი (20—24°C). ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 210—250 *კჯ/სმ²* (50—60 *კკალ/სმ²*) სითბოს. ნალექები 600—1200 *მმ* წელიწადში, მაქს. უმეტეს რ-ნებში ზაფხულშია. სავეგეტაციო პერიოდი მთელი წლის მანძილზე გრძელდება. გავრცელებულია ბალახეული მცენარეულობა, ბუჩქნარი და ნათელი ტყე. ცხოველთა სამყარო სტეპური და სავანური სახეობებისაგან შედგება. ს. ს. ტ. ზ. ფართოდ არის გამოყენებული მიწათმოქმედებისათვის (მარცვლეული კულტურები, ბამბა, საძოვრები). ს. ს. ტ. ზ-ში გამოიყოფა *სავანის* (მშრალი ჰავა, ბალახეულობის სიჭარბე) და *პრერიების* ქვეზონები (შედარებით ნოტიო გრილი ჰავა, სტეპური ტიპის ხალახეული).


სუბტროპიკული სარტყლების ტყის ზონები, ხმელეთის ბუნებრივი ზონები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროებში. იყოფა ხმელთაშუა ზღვის ხეშეშფოთლიანი ტყისა და ბუჩქნარის, მუსონური შერეული ტყის და ჰემიპილეის ქვეზონებად. ხმელთაშუა ზღვის ხეშეშფოთლიანი ტყისა და ბუჩქნარის ქვეზონა გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების გასწვრივ, ჩრდ. ამერიკაში (კალიფორნია); სამხრ. ამერიკის დას. ნაწილში (შუა ჩილე), სამხრ. აფრიკაში, ავსტრალიის სამხრ. და დას. რ-ნებში, ახალი ზელანდიის ჩრდ. ნაწილში. იცის მშრალი და ცხელი ზაფხული, გრილი და ნოტიო ზამთარი. ყველაზე ცივი თვის საშ. ტემპ-რა 4—12°C, ყველაზე თბილი თვისა 18—28°C. ნალექები 500—1000 *მმ* წელიწადში (მთებში ადგილ-ადგილ 2000 *მმ*). ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 460—585 *კჯ/სმ²* (110—140 *კკალ/სმ²*) სითბოს. გავრცელებულია ხეშეშფოთლიანი ტყისა და ბუჩქნარის მცენარეული ფორმაციები. ტყეში ხარობს მარადმწვანე მუხა, ფიჭვი, კედარი და სხვ. განვითარებულია ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები, ადგილ-ადგილ ქვიშიანმიწები. მუსონური შერეული ტყის ქვეზონა გავრცელებულია აზიის, ავსტრალიის, ჩრდ. და სამხრ. ამერიკის აღმ. განაპირა მხარეებში. ჰავა თბილია. ზამთარი მშრალი იცის, ზაფხული — ნოტიო. ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 210—250 *კჯ/სმ²* (50—60 *კკალ/სმ²*) სითბოს. ამ ქვეზონაში სუბეკვატორულ სარტყელთან ახლოს გავრცელებულია სინოტივის მოყვარული მრავალიარუსიანი მარადმწვანე ტყე ლიანებით; ზომიერ სარტყელთან ჭარბობს ფოთოლმცვივანი ტყე. ჩრდ. ნახევარსფეროს სუბტროპ. სარტყლების მუსონურ ტყეში ხარობს მარადმწვანე მუხა, კამელია, მაგნოლია, ფიჭვი, სოჭი, დაფნა და სხვ. ჭარბობს ყვითელი და წითელი ნიადაგები. ჰემიპილეის ქვეზონა. გავრცელებულია იქ, სადაც მთელი წლის განმავლობაში ჭარბი სინოტივეა. ასეთი რ-ნებია: აშშ-ის სამხრ.-აღმ., ბრაზ. მთიანეთის სამხრ. ნაწილი, აფრ. სამხრ.-აღმ., ახალი ზელანდიის ჩრდილოეთი. ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 500—630 *კჯ/სმ²* (120—150 *კკალ/სმ²*) სითბოს. ნალექები 1000 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. სუბეკვატორულ სარტყელთან ახლოს ჭარბობს მარადმწვანე ტყე, რ-იც ზომიერი სარტყლისაკენ იცვლება ფოთოლმცვივანი ტყით. განვითარებულია მურაწითელი, ყვითელი და წითელმიწა ნიადაგები. ს. ს. ტ. ზ. საგრძნობლად არის შეცვლილი ადამიანის ზემოქმედებით. ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში გაშენებულია ზეთისხილი, ციტრუსები, ვენახები, თესენ მარცვლეულს. ჰემიპილეისა და მუსონური შერეული ტყის ქვეზონებში მოჰყავთ ბრინჯი, ჩაი, არაქისი, ბამბა, ციტრუსები.

სუბტროპიკული სარტყლების უდაბნოს ზონები, ხმელეთის ბუნებრივი ზონები ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროებში, სადაც განვითარებულია *უდაბნოები*. გავრცელებულია ჩრდ. აფრიკაში (ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ), სამხრ. აფრიკაში (პლატოებსა და დიდი კარუს მთათაშუა ქვაბულებში), აზიაში (შუა აზიის სამხრ-ით, ირანის მთიანეთზე, სირიისა და ერაყის ჩრდ-ით, პამირისა და ▮ ტიბეტის მაღალმთიან რ-ნებში), ავსტრალ. სამხრ. ნაწილში, სამხრ. ამერიკაში (ანდების აღმ. კალთებზე და მთისწინა ზოლში), ჩრდ. ამერიკაში (მექს. მთიანეთის ჩრდ-იდ და დიდი აუზის სამხრ. ნაწილში)

ლიტ.: И в а н о в Н. Н., Ландшафтно-климатические зоны земного шара, М.—Л., 1948; Р я б ч и к о в А. М., Структура и динамика геосферы, ее естественное развитие и изменение человеком, М., 1972.



სტ. ტიციანი. „დანაე". დაახლ. 1554. ერმიტაჟი ლენინგრადი



სტ. ი. ტინტორეტო. „იოანე ნათლისმცემლის შობა". 1560-იანი წლები. ერმიტაჟი ლენინგრადი.

ჩრდ. ნახევარსფეროს ს. ს. უ. ზ-ში ზაფხული ცხელია (ჰაერის ტემპ-რა 25—35°C), ზამთარი გრილი (5—15°C). სიკეთილის ველის უდაბნო (აშშ) ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ადგილია დედამიწაზე (56,7°C). პამირისა და ტიბეტის მაღალმთიან უდაბნოებში პავა ცივია და კონტინენტური. ზაფხულის ტემპ-რა 10—15°C არ აღემატება; ზამთარში იცის ყინვები —15°C, —20°C. ნალექები წელიწადში 200 *მმ* არ აღემატება, ზოგან 55 *მმ*-ზე ნაკლებია. ხმელეთის ზედაპირი წლის განმავლობაში იღებს 670—750 *კჯ/სმ²* (160—180 *კკალ/სმ²*) სითბოს.

სუბტროპიკული პავა, იხ. სტ. *კლიმატი.*

სუბაი (Subhi) მუსტაფა (1882, გირესუნი, — 28. I. 1921, ტრაბზონის ახლოს), *თურქეთის კომუნისტური პარტიის* (თკპ) ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. დაიბადა მსხვილი მოხელის ოჯახში. 1906 დაამთავრა იურიდ. სკოლა სტამბოლში, შემდეგ სორბონის სოც. მეცნ. ფაკ-ტი. 1910 შევიდა ოსმ. სოციალ. პარტიაში. 1913 დააპატიმრეს, ჩასვეს სინოპის ციხესიმაგრეში, საიდანაც რუსეთში გაიქცა. 1915 შევიდა რსდმპ (ბ)-ში, ეწეოდა რევ. მუშაობას თურქ. სამხ. ტყვეების შორის. დიდი ოქტ. სოციალ. რევ. შემდეგ ასრულებდა სხვადასხვა პარტ. დავალებას მოსკოვში, ყაზანში, ყირიმში, ტაშკენტში. 1918 დააარსა გაზ. „იენი დუნია“ („ახალი სამყარო“). თკპ-ის I ყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1920 სექტ., ბაქო), სადაც აირჩიეს მის თავ-რედ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ს., თკპ ცკ-ის 14 სხვა წევრი და პარტიის აქტივისტები თურქმა ჟანდარმებმა ტრაბზონში დააპატიმრეს და ზღვაში დაახრჩვეს. ს-ის ინიციატივითა და მონაწილეობით თურქ. ენაზე ითარგმნა კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ზოგიერთი შრომა.

სუდანი (<არაბ. ბილად ალ-სუდან — შავკანიანთა ქვეყანა), ბუნებრივი არე აფრიკაში; გადაჭიმულია საჰარის სამხრ. საზღვრიდან ჩ. გ. 4—8°-მდე და ატლანტის ოკეანიდან ეთიოპიის მთიანეთამდე. ფართ. დაახლ. 5 მლნ. *კმ²*. ს. მდებარეობს კამბრიულისწინა აფრიკის ბაქნის საზღვრებში, სადაც სინეკლიზები (შუა ნიგერის, ჩადის ტბის, თეთრი ნილოსის ქვაბულები) ამოვსებულია ქვიშნარ-თიხნარი ნალექებით. სიმაღლე 200—500 *მ*. ს-ში აღმართულია კრისტ. პლატოები და ვულკ. კონუსები (მთა მარა, 3088 *მ*, ს-ის უმაღლესი წერტილი), არის უადები, ტბიური ქვაბულები და სხვ. ჰავა სუბეკვატორული მუსონურია. ზამთრობით ქრის ჩრდ.-აღმ. პასატები, გაბატონებულია კონტინენტური ტროპ. ჰაერი, დგას ცხელი და მშრალი ამინდი. ყველაზე ციცი თვის საშ. ტემპ-რა 20-იდან 26°C-მდეა. ზაფხულობით გაბატონებულია სამხრ.-დას. მუსონი, რ-საც მოაქვს ნოტიო ეკვატორული ჰაერი, მოდის ნალექები. ყველაზე მაღალი საშ. თვიური ტემპ-რებია 30-იდან 35°C-მდე. ნალექები მატულობს ჩრდ-იდან სამხრ-კენ (100-იდან 2000 *მმ*-მდე წელიწადში). დიდი მდ-ებია: ნილოსი, ნიგერი, სენეგალი, შარი, გამბია და სხვ. დიდი ტბაა ჩადი. ჩრდ-იდან სამხრ-კენ სინოტივის ზრდასთან ერთად იცვლება ლანდშაფტი (ტროპ. უდაბნო, ნახევარუდაბნო, სავანა და ნოტიო ეკვატორული ტყეები). დიდი ნაწილი უჭირავს სავანას. განვითარებულია წითელი ფერალლითური და ალფერიტული, აგრეთვე წითელ-მურა ნიადაგები. ს-ის ტერიტორიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ მდებარეობს შემდეგი სახელმწიფოები: სენეგალი, გვინეა-ბისაუ, გამბია, მალი, ნიგერი, ჩადი, სუდანი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კამერუნი, ნიგერია, ბენინი, ტოგო, განა, ზემო ვოლტა, სიერა-ლეონის ნაპირი, გვინეა.

სუდანი, სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკა (ჯუმჰურიათ ალ-სუდან ალ-დიმოკრატია), სახელმწიფო ჩრდ.-აღმ. აფრიკაში, წითელი ზღვის სანაპიროზე. ფართ. 2505,8 ათ. *კმ²*. მოსახლ. 20,6 მლნ. კაცი (1983). დედაქალაქი — ხარტუმი. ოფიც. ენა — არაბული. ეროვნ. დღესასწაულებია: 1 იანვ. — დამოუკიდებლობის დღე (1956) და 25 მაისი — მაისის რევ. წლისთავი (1969). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული, ხმარობენ მუსლ. ჰიჯრასაც. ფულის ერთეულია სუდანის გირვანქა. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით (1985 მაისი) 100 სუდანის გირვანქა = 34,62 მანეთს. ადმინისტრაციულად ს. იყოფა 8 რეგიონად.

ს. რესპუბლიკაა. 1985 სამხ. გადატრიალების შემდეგ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება ხელთ იგდო გარდამავალმა სამხ. საბჭომ. სახელმწიფოს მეთაურია სამხ. საბჭოს თავ-რე, აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის სამხ. საბჭოს მიერ შექმნილ მთავრობას.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. ს-ის ტერიტ. უმეტესი ნაწილი უჭირავს 300—1000 *მ* სიმაღლის პლატოს. ჩრდ-ით ლიბიისა და ნუბიის უდაბნოებია, დას-ით — დარფურისა და კორდოფანის პლატოები, აღმ-ით — ეთიოპიის მთიანეთის შტოქედები. სანაპიროს გასწვრივ ზღვისპირა დაბლობია. ქვეყნის სამხრ. ნაწილში შემოდის ცენტრ. აფრ. მაღლობების შტოქედები (მთა კინიეტი, 3187 *მ*—ს-ის უმაღლესი წერტილი). სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება. რკინის, სპილენძის, მანგანუმის მადანი, ოქრო, ქრომიტები, მარმარილო, თაბაშირი, ნავთობი და სხვ.

ქვეყნის ჩრდ. ნაწილში ტროპ. უდაბნოს პავაა (საშ. თვიური ტემპ-რები 15—35°C, ნალექები 200 *მმ*-ზე ნაკლები წელიწადში), სამხრ. ნაწილში — ეკვატორულ-მუსონური (საშ. თვიური ტემპ-რები 23—30°C, ნალექები 500—1400 *მმ* წელიწადში). მდ-ები განეკუთვნება *ნილოსის* აუზს, რ-იც ს-ს კვეთს სამხრ-იდან ჩრდ-კენ. ს-ის ტერიტორიაზე მიედინება მდ-ები: ბაჰრ-ელ-ჯებელი, ელ-ღაზალი, სობატი, თეთრი და ცისფერი ნილოსი, ატბარა. მთელ რიგ რ-ნებში დიდ როლს თამაშობს სეზონური ნაკადები და მიწისქვეშა წყლები.


ს-ის ჩრდ. ნახევარი ტროპ. ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების ზონაშია და თითქმის მთლიანად მოკლებულია ნიადაგსა და მცენარეულობას. სამხრ. ნახევარში უმთავრესად სავანაა, სადაც ბალახეულის გარდა იზრდება ბაობაბი და აკაცია. მთიანი რ-ნები შემოსილია ტროპ. ტყეებით. ქვეყნის სამხრ. ნაწილში ტროპ. ჭაობებია. ცხოველთა სამყაროდან შემორჩენილია: ანტილოპი ორიქსი, ქურციკი, ჟირაფი, სპილო, ჯიქი, ლომი, ბეჰემოთი და სხვ., ფრინველებიდან — სირაქლემა, ქვეწარმავლებიდან —პითონი. მდებში ბინადრობს ნიანგი, სხვადასხვა სახეობის თევზი. შექმნილია ეროვნ. პარკები და ნაკრძალი.

მოსახლეობა. მოსახლ. ნახევარზე მეტი — 70% — ქვეყნის ჩრდ. რ-ნების ბინადარი არაბებია, აგრეთვე ნილოსის დაბლობზე მცხ. ნუბიელები და ბეჯა. 30%-ს შეადგენენ ზანგი ხალხები: დინკა, ნუერი, შილუკი, აზანდე და სხვ. ქვეყნის ჩრდ. ნაწილის მოსახლ. აღიარებს ისლამს, სამხრ. ინარჩუნებს ტრად. რწმენებს, არიან ქრისტიანებიც.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 80% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1983). მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა და-



სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.





ტაძრის ნანგრევები. სუდანი. ძვ. წ. XV ს.

ახლ. 8,2 კაცი 1 კმ²-ზე (1983). განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული თეთრი და ცისფერი ნილოსის შუამდინარეთის ჩრდ. ნაწილი. უდაბნო რ-ნები თითქმის დაუსახლებელია. მოსახლ. დაახლ. 1/5 მომთაბარე და ნახევრად მომთაბარეა. უდიდესი ქალაქია ხარტუმი (1,8 მლნ. მცხ., 1983; ჩრდ. ხარტუმსა და ომდურმანთან ერთად). მნიშვნელოვანი ქ-ებია პორტ-სუდანი და ატბარა.

ისტორიული ნარკვევი. თანამედროვე ს-ის ტერიტ. დასახლებული იყო უძველესი ხანიდან. არქეოლ. მასალა ქვის ხანას განეკუთვნება. ძვ. წ. IV—III ათასწლ. ჩრდ. ს-ში აღმოცენდა ე. წ. კულტურა „ა", რ-იც ახლოს იდგა იმდროინდელ ეგვ. კულტურასთან. ს-ის ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი (სადაც ძველად მდებარეობდა ქვეყანა ქუში, X ს-იდან—*ნუბია*) დასახლებული იყო სემიტურ-ქამიტური და ქუშიტური ტომებით, რ-თაც II ათასწლეულში შეერივნენ ნეგროიდული ელემენტები. ძვ. წ. XVI—XII სს-ში ს. ეგვიპტეს ემორჩილებოდა. VII ს. შუა წლებიდან ს-ში არაბები მოვიდნენ. XIV—XVI სს-ში აქ აღმოცენდა მუსლ. ფეოდ. სახელმწიფოები — დარფურის სასულთნო, ფუნგების სასულთნო და სხვ. ამ სახელმწიფოებში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული სოფ. მეურნ., ხელოსნობა და ვაჭრობა. 1820—22 ს-ის ტერიტ. დიდი ნაწილი ეგვ. მმართველმა *მუჰამად ალიმ* დაიპყრო. ს. ფორმალურად ოსმ. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ფაქტობრივად ეგვ. სამფლობელო გახდა. ს-ის ტერიტ. დაიყო პროვინციებად, რ-თაც სათავეში ედგნენ თურქი და ეგვ. მოხელეები. XIX ს. 60—70-იან წლებში ს-ში გაძლიერდა დიდი ბრიტ. გავლენა. ოსმ.-ეგვ. ხელისუფალთა და ინგლ. კოლონიზატორთა ექსპლუატაციამ და ეროვნ. ჩაგვრამ XIX ს. 80-იანი წწ. ს-ში გამოიწვია ანტიკოლონ. ხასიათის *მაჰდისტების აჯანყება*. 1899 იანვ. დიდმა ბრიტანეთმა აიძულა ეგვიპტე ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის, რ-ის თანახმად ს. ორივე ქვეყნის ერთობლივ სამფლობელოდ (კონდომინიუმად) გამოაცხადა. ქვეყანა ოფიციალურად იწოდებოდა ინგლ. ეგვ. ს-ად (ფაქტობრივად ინგლ.-კოლონიად იქცა).

II მსოფლიო ომის (1939—45) დასაწყისში ს-ის ტერიტ. ერთი ნაწილი იტალიელებმა დაიპყრეს, მაგრამ 1941 გაზაფხულზე ისინი განდევნეს. ს. დიდი ბრიტ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხ. ბაზა გახდა აფრიკაში. II მსოფლიო ომის შემდეგ გააქტიურდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობა, მოითხოვდნენ კონდომინიუმის ლიკვიდაციას, ინგლ. ჯარების გაყვანას ს-იდან. 1946 ზაფხულში შეიქმნა სუდანის კომუნისტური პარტია (სკპ). ეგვიპტეში 1952 ივლ. რევ. შემდეგ ს-ის ხალხმა თვითგამორკვევის უფლება მიიღო (ინგლ.-ეგვ. 1953 წ. 12 თებ. შეთანხმებით). 1955 ნოემბ-ში ორივე სახელმწიფომ გაიყვანა თავისი ჯარები ს-იდან. 1956 წ. 1 იანვ. ს. დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. სსრკ და სხვა სოციალ. ქვეყნებმა პირველებმა ცნეს ახალგაზრდა რესპუბლიკა. 1956 ს. მიიღეს გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში. 1956 იანვ. დამყარდა დიპლ. ურთიერთობა ს-სა და საბჭოთა კავშირს შორის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მალე ქვეყანაში თავი იჩინა შინაპოლიტ. კრიზისმა. პოლიტ. ვითარების გამწვავებით ისარგებლა პრომპერიალისტურად განწყობილმა სამხ. ოფიცრობის ზედაფენამ და 1958 წ. 17 ნოემბერს ს-ში სახელმწ. გადატრიალება მოაწყო. ძალაუფლება შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს ხელში გადავიდა. ახ. მთავრობამ გზა გაუხსნა ნეოკოლონიალიზმს, შეღავათები მისცა კერძო კაპიტალს. ს. მოექცა აშშ-ისა და გფრ-ის ფინანს. მარწუხებში, ს. საგარეო პოლიტიკის სფეროში არათანმიმდევრულად ატარებდა ნეიტრალისტურ კურსს, თანამშრომლობდა სსრკ-თან (1959 და 1961 ხელშეკრულებები) და სხვ. სოციალ. ქვეყნებთან, მხარი დაუჭირა ეგვიპტეს ისრაელ.-საფრ.-ინგლ. აგრესიის (1956) დროს, ხოლო 1967 თავდასხმების დროს ომი გამოუცხადა ისრაელს და ჯარის ნაწილებიც გააგზავნა ეგვ. დასახმარებლად. 1965 დეკ-ში ხელისუფლების სათავეში მემარჯვენეები მოვიდნენ. მათი ხელისუფლება რევ. გადატრიალების შედეგად დაამხეს. 1969 წ. 25 მაისს გადატრიალება განახორციელეს არმიის პატრიოტულად განწყობილმა ოფიცრებმა. რევ. საბჭოს მეთაურად დაინიშნა ჯაფარ მუჰამედ ნიმეირი, ქვეყანას ეწოდა სუდანის დემოკრ. რესპუბლიკა. 1971 აგვ. დროებითი კონსტ. თანახმად ს-ის პრეზიდენტად აირჩიეს ჯ. მ. ნიმეირი (1971 სექტ.). ახ. მთავრობამ დაიწყო ანტიიმპერიალ. საგარეო პოლიტიკისა და პროგრ. სოც.-ეკონ. რეფორმების გატარება. მაგრამ ამ პროცესს აფერხებდა სეპარატისტული მოძრაობა ს-ის სამხრეთში და იმპერიალ. და რეაქციული წრეების ძირგამომთხრელი საქმიანობა. 1972 იანვ. შეიქმნა ს-ის სოციალ. კავშირი (სსკ) — ერთადერთი ლეგალური პოლიტ. ორგანიზაცია ქვეყანაში (თავ-რე — ჯ. მ. ნიმეირი).

ს-ის შინაპოლიტ. მდგომარეობა არასტაბილური რჩებოდა. დაძაბული იყო მდგომარეობა სამხრ. ს-ში. ნიმეირის „ეროვნული შერიგების" პოლიტიკამ ფაქტობრივად მარცხი განიცადა მმართველ წრეებთან ოპოზიციის ლიდერების სერიოზული უთანხმოების გამო. მთავრობა სულ უფრო ხშირად მიმართავდა რეპრესიებს დემოკრ. ძალების მოძრაობის ჩასახშობად, სახელმწ. მმართველობის აპარატის წმენდასა და ა. შ. ს-ის მმართველი წრეები აქტიურად აგრძელებდნენ ურთიერთობას იმპერიალ. ძალებთან, უმთავრესად აშშ-თან. მხარს უჭერდნენ ანტიარაბ. კემპ-დეივიდის შეთანხმებას, ცდილობდნენ ეგვ. არაბთა რესპუბლიკასთან „განსაკუთრებული ურთიერთობის" განმტკიცებას.

1985 წ. 6 აპრ. სახ. შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენ. სივარ ალდაბაბის მეთაურობით და ხალხის მხარდაჭერით მოეწყო სამხ. გადატრიალება. გადააყენეს პრეზიდენტი ნიმეირი. ძალაუფლება გარდამავალი სამხ. საბჭოს ხელში გადავიდა. გააუქმეს კონსტიტუცია, დაარსებული ნიმეირის მომხრეები, გაათავისუფლეს პოლიტ. პატიმრები, მოითხოვეს გაფიცვების შეწვეტა. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა მოლაპარაკება გამართეს სამშობლოს ხსნის ეროვნ. ძალების ბლოკთან, რ-იც შეიქმნა 5 აპრ. მასში შედის პროფკავშირები, კომპარტია და ზოგიერთი პოლიტ. პარტია. მოლაპარაკების შედეგად სამხედროებმა მიიღეს ბლოკის წინადადება თავისუფალ არჩევნების ჩასატარებლად ერთწლიანი გარდამავალი პერიოდის დამყარების შესახებ. ასევე მიიღეს ამ მოლაპარაკების შედეგად შექმნილი მთავრობის პროგრამა, რ-იც ითვალისწინებს ძვ. რეჟიმის შედეგების ლიკვიდაციას, მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის გარანტიას, ეროვნ. ეკონომიკის გაჯანსაღებას, სამხრეთის პრობლემის დემოკრ. გზით გადაჭრას, ახ. კონსტიტუციის შემუშავებას, აგრეთვე დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის გატარებას.

ეკონომიკა. ს. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული აგრ. ქვეყანაა. იგი მსოფლიო ბაზარს აწვდის მაღალხარისხოვან ბამბასა და გუმიარაბიკს. ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხ. კაპიტალი. სსრკ-ის თანამშრომლობით არის აშენებული ბოსტნეულისა და ხილის საკონსერვო ქ-ნები, წმრალი რძის ქ-ნა, 2 ელევატორი და სხვ.


ქვეყნის ეროვნ. შემოსავლის 40%-ს იძლევა სოფ. მეურნეობა. წვრილი გლეხური მეურნეობების გვერდით არსებობს სახელმწ. და კერძო დიდი სასაქონლო მეურნეობები. მუშავდება ქვეყნის ტერიტ. დაახლ. 3%. სოფ. მეურნ. მთავარი დარგი მიწათმოქმედება. მნიშვნელოვანი სასაქონლო კულტურაა ბამბა, რ-ის მოსავალიც (569 ათ. ტ, 1983) ს. I ადგილზეა აფრიკაში. ბამბის ნახევარზე მეტს იძლევა გეზირა. მოჰყავთ (ათ. ტ, 1983): ხორბალი — 185, სორგო — 1919, ფეტვი — 227, არაქისი — 501, შირბახტი — 140, შაქრის ლერწამი. ქვეყნის ჩრდ. ნაწილში კულტივირებულია ფინიკის პალმა. აგრონომებს გუმიარაბიკს, სინამაქის ფოთოლს, დუმ-პალმის ნაყოფს. 1983 ს-ში იყო 5 მლნ-ზე მეტი მსხვ. რქ. საქონელი, ცხვარი, თხა, აქლემი. მისდევენ თევზჭერას (35 ათ. ტ, 1980/81). ამზადებენ ხე-ტყეს.

მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. იღებენ რკინის, ქრომის, მანგანუმის მადანს. 1981 ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 1,2 მლრდ. *კვტ·სთ*. არის კვების, მსუბუქი, ტყავ-ფეხსაცმლის, ხეტყის მრეწვ. საწარმოები. ვითარდება ლითონდასამუშ., ნავთობგადასამუშ., ცემენტის მრეწველობა.

რკინიგზის სიგრძეა 5,5 ათ. *კმ*, საავტომობილო გზებისა — 21,4 ათ. *კმ*, სანაოსნო სამდინარო გზებისა — დაახლ. 6 ათ. *კმ* (1983). ქვეყნის უდიდესი საზღვ. ნავსადგური პორტ-სუდანი (ტვირთბრუნვა 5,5 მლნ ტ, 1983). საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია ხარტუმში.

1982/83 ექსპორტმა შეადგინა 483,1 მლნ. სუდანის გირვანქა, იმპორტმა—1213,8 მლნ. გააქვთ ბამბა, სორგო, არაქისი, გუმიარაბიკი, ტყავი და სხვ. შეაქვთ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მანქანა-მოწყობილობა, სურსათი და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, გფრ, იაპონია, აშშ.

განათლება. 1956 ს-ში მიიღეს კანონი სახ. განათლების შესახებ, მაგრამ 1973 წ. მოსახლ. 80%-ზე მეტი მაინც წერა-კითხვის უცოდინარი იყო. დაწყ. სკოლა არის 6-წლიანი (3+3). სწავლება უფასოა, განცალკევებული. ასწავლიან არაბ. ენაზე. ისლამის სწავლება სავალდებულოა. ორსაფეხურიანი საშ. სკოლა 6-წლიანია (3+3), ფასიანი. ასწავლიან ინგლ. ენაზე. 1983 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 200 ათ-მდე მოსწ., არასრულ საშ. სკოლაში



გასაგზავნად გამზადებული ბამბა.

ათ-მდე. სრულ საშ. სკოლაში — 38 -მდე. 3—4-წლიანი პროფტექ. სასწავ- ებლები მუშაობს დაწყ. ან არასრული შ. სკოლების ბაზაზე. 1983 სწავლობდა ათ. მოსწავლე. დაწყ. სკოლის მასწავ- ებლებს ამზადებენ არასრული საშ. ოლის ბაზაზე, არასრული საშ. სკო- ს მასწავლებლებს — პედ. სასწავლებ- ები სრული საშ. სკოლის ბაზაზე. არის ლიანი პედ. ინ-ტიც. ს-ში უმაღლესი ათლება ფასიანია. არის ხარტუმის უნ- (1956), კაიროს უნ-ტის ხარტუმის ლიალი (1955), პოლიტექ. ინ-ტი ხარ- მში (1960), შამბათის სას.-სამ. ინ-ტი 954).

ბ-კებია ხარტუმის უნ-ტისა და საჯარო დურმანში, ს-ის ეროვნ., ეთნოგრ., ნებისმეტყველების ისტ. მუზეუმებია რტუმში, მუზეუმი-ნაკრძალი — მეროე-

ს-ში გამოდის რამდენიმე დასახელების რნალი და გაზეთი არაბ. და ინგლ. ენებ- . მთავრობის საინფორმაციო სააგენტო უდან-ნიუზ-ეიჯენსი" (დაარსდა 1970). დიომაუწყებლობა მუშაობს 1940-იდან, ლევიზია — 1962-იდან.

ლიტერატურა. თანამედროვე ს-ის ტე- ტ. ნაწილზე ვითარდებოდა ძვ. ნუბი- თა ლიტ-რა, რ-ის ორიგინ. ძეგლები შემორჩენილა.

ს-ის შუა საუკ. ლიტ-რა საერთო არაბ. იტ-რის ორგანული ნაწილია (იხ. არა- ლი კულტურა. ლიტერატურა). ახ. ს-ის იტ-რაში განსაკუთრებით განვითარე- ლია პოეზია. ტრად. კლასიკური პოე- ის მიმდევარი პოეტები არიან აჰმედ ა-აზჰარი, მუჰამად ომარ ალ-ბანა, თაუ ფიკ აჰმედი, მაჰმუდ ანისი და სხვ. XX ს. -იან წლებში განვითარდა რომან- ზმი, რ-ის წარმომადგენლებმაც (ჰამ- ალ-მალიქ ტუნბული, ბაბაკური და გ.) ნიადაგი შეუმზადეს რეალიზმს ლ-ბაშირი, სალაჰ იბრაჰიმი და სხვ.). —40-იან წლებში განვითარდა პროზა ასან აჰმედ იასი, მუჰამედ აჰმედ მაჰჯუ- და სხვ.). 50—60-იანი წწ. პროზის აღ- ვლობის პერიოდია (ოსმან ალი ნური, ე-ზუბეირ ალი, აბუ ბაქრ ხალიდი, ალი იბ სალეჰი).

ხელოვნება. ნეოლითის ხანის მხატვ- ელ კულტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია ოველთა თიხის სტატუეტები, ნაძერწი რამიკა, კლდის მხატვრობა. ძვ. წ. II ასწლ. ს-ის ხელოვნება ვითარდებოდა ეგვ. ხელოვნ. გავლენით. ძვ. წ. I ასწლ. დასასრულიდან თავი იჩინა აღ- ლ. თავისებურებებმა. ქრისტიანობის გან- კიცებასთან ერთად (VI ს. II ნახ.) შენ- ბა ეკლესიები, რ-ებიც ახლოს დგას კოპ- ების ხელოვნებასთან. XV—XVI სს. დას. ის ხუროთმოძღვრებას (ქ. ურის ნანგრე- ბი) ბევრი საერთო აქვს აღმ. აფრ. ქვე- ების შუა საუკ. ქვის ხუროთმოძღვრებას- ან. XIX—XX სს. ხალხ. საცხოვრებლის ამახასიათებელი ტიპებია: ალიზით ნა- ბი გეგმით მართკუთხა ქოხები, წითელი ვის ნაპირებზე — მარჯნის კირქვისგან ებები ქოხები და სხვ. XX ს. შუა ხანე- მდე ევრ. ტიპის შენობები მხოლოდ დ ქ-ებში იყო (ხარტუმი და სხვ.). 1956 მდეგ ფართოდ გაიშალა გეგმაზომიე- სამრეწვ. და საცხოვრ. მშენებლობა. ს-ის სახვ. და დეკორ. გამოყენებითი ლოვნ. ტრად. სახეობაა: ხის ქანდაკება, ხის მცირე პლასტიკა. ჩრდ. ს-ის არა- ბი მისდევენ სპილენძისა და ვერცხლის ბლიგრანულ დამუშავებას, ტყავის ნაკე- ობების დამზადებას. XX ს. შუა ხანებ- შეიქმნა დაზგური ფერწერის ეროვნ. ოლა (მოქანდაკეები მ. კუა და სხვ., რმწერები ხ. აბასი და სხვ.).

1936 ს-ში შეიქმნა თეატრ. საზ-ბა, იც ჯერ ემსახურებოდა სკოლებს, ხო- 1940-იდან მართავდა სახ. სპექტაკ- ებს. 1950 საზ-ბის ბაზაზე მუშაობდნენ რამ. და მუს. დასები. სპექტაკლებს დგა- ნენ არაბ. ენაზე. 1961 რესპუბლიკაში მუშაობდა: თანამედროვე სუდანის თეატ- რი, ხარტუმის დასი და რამდენიმე ხალხ. ცეკვის ანსამბლი. ახალგაზრდა მსახიო- ბები სწავლობენ ეგვ. და იტალ. სამხატ- ვრო სკოლებში.

1968-იდან დაიწყო სასწ. და ქრონიკა- ლური ფილმების გამოშვება. პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია „იმედები და ოცნებები" (რეჟ. ალ-რაშიდ მაჰდი, 1969). 1970-მდე ფილმების გაქი- რავებაზე მუშაობდა ბერძნ. კომპანია „ლიკას დისტრიბიუტორსი" და სამამუ- ლო „სუდანზ სინემა". 1970 შემდეგ ფილ- მების გაქირავება და კინოთეატრები სა- ხელმწ. კინოკორპორაციას დაექვემდებარა. ორი წლის შემდეგ მოხდა კინოთეატრების დენაციონალიზაცია. კინოგაქირავება კერძო პირთა ხელშია. დაიდგა მოკლე- მეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თაობე- ბის ბრძოლა" (1972) და სრულმეტრაჟი- ანი ფილმი „ძმების კონფლიქტი" (1973)— ორივე ფილმის რეჟ. ა. ჰაშემი. ქვეყანა- ში მუშაობს 53 ღია ტიპის კინოთეატრი.

ლიტ.: Демидчик В. П., Суданская поэзия XX в., Душ., 1972; Демократическая Республика Судан. Справочник, М., 1973; Канцельсон И. С., Напата и Мероэ—древние царства Судана, М., 1970; Смирнов С. Р., История Судана (1821—1956), М., 1968.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 656—657.

სუდანური (Sorghum sudanense). ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე სორგოს გვარისა. მისი სიმაღლე 0,5—3 *მ* აღწევს. აქვს ლანცეტისებრი ფოთოლი, საგებელა ყვავილედი, ნაყოფი მარცვალა. გვალვა- გამძლეა, ეგუება სუსტად დამლაშებულ ნიადაგსაც. სამშობლოა სუდანი. ფართო- დაა გავრცელებული. სსრკ-ში მოჰყავთ საკვებ მცენარედ (მწვანე მასად, სასი- ლოსედ, თივად). კარგი საძოვარი კულტუ- რაა. თესვის ვადების რეგულირებით სა- ძოვრად გამოყენება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. გათიბვისა და გაძო- ვების შემდეგ სწრაფად წამოიზრდება. შეიძლება დაითესოს სანაწვერალო კულ- ტურად, აგრეთვე შერეული სხვა მცენა- რეებთან. *გ. ცაგურიშვილი.*

სუდანური ენები, სუდანის ყველა ენის აღმნიშვნელი ტერმინი, იხმარებოდა XX ს. I ნახევარში. აფრიკის ენათა თანამედ- როვე გენეალოგიურ კლასიფიკაციაში (ჯ. გრინბერგი) იხმარება „აღმოსავლურ-სუ- დანური" და „ცენტრალურ-სუდანური" ენე- ბი, რ-ებიც განეკუთვნება ნილოს-საჰარის ენათა შარი-ნილოსის ჯგუფის ქვეჯგუ- ფებს. აღმოსავლურ სუდანურში შედის ენათა 10 ქვეჯგუფი: ნილოტური, ნუბიუ- რი, მურლე-დიდინგა-მეკანი, ბარეა, მე- რარითი და დაგუ, ინგასანა, ნიანგია, თემეინი, ნიმა-აფიტი. გავრცელებულია ეთიოპია-სუდანის საზღვარზე, ერიტრეა- ში, ჩადის და სუდანის საზღვარზე, სუ- დანის აღმ-ით, სუდანის სამხრ-ით და ჩა- დის აღმ-ით, ჩრდ. უგანდასა და კორდო- ფანში. ცენტრ.-სუდანურში შედის ბაგირ- მი, კრეიში, ბინგას და მორუ-მადის ჯგუ- ფების ენები, მანგბეთუ და მანგბუთუ ჯგუფების ენები, ლენდუ ენა. გავრცელებუ- ლია უგანდის ჩრდ. დას., სუდანის სამხრ., ზაირის ჩრდ.-აღმ., ჩადში და აფრ. ცენტრ. რესპუბლიკაში.

დამწერლობა ეფუძნება ლათ. გრაფი- კას. მხოლოდ ნუბიურს აქვს ტრად. დამ- წერლობა (VIII—XI სს.), რ-იც მომდინა- რეობს კოპტურიდან. თითქმის ყველა აღნიშნული ენა ტონურია. ძირითადად 5—7 ხმოვანი აქვს. ენების უმრავლესობა განა- სხვავებს დენტალურ და ალვეოლარულ ხშულებს, ზოგიერთი — იმპლოზიურ და ექსპლოზიურ მჟღერ ხშულებს. განარჩევენ გრამატ. სქესს.

ლიტ.: Greenberg J., The languages of Africa, 2 ed., Bloomington, 1966. *ნ. ჟგენია.*

სუდეიკინი სერგეი იურის ძე (7. III. 1882, პეტერბურგი, — 1946, ნიუ-იორკი), რუსი მხატვარი. სწავლობდა პეტერბ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვ- რების სასწავლებელში (1897—1909), პე- ტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1909). რუს მხატვართა კავშირის, „მირ ისკუსსტ- ვას", „გოლუბაია როზას" და სხვ. გამოფე- ნების მონაწილე. 1905-იდან თანამშრომ- ლობდა ვ. მეიერხოლდთან, ვ. კომისარ- ჟევსკაიასთან, ა. ტაიროვთან, ნ. ევრეი- ნოვთან. აფორმებდა პეტერბ. არტისტუ- ლი კაბარეების წარმოდგენებს (1910—15). 1917-ში ჩამოვიდა თბილისში, დაუკავშირ- და „*ცისფერყანწელებს*". ლ. გუდიაშვილ- თან, დ. კაკაბაძესთან, კ. ზდანევიჩთან, ს. ვალიშევსკისთან ერთად მოხატა კაფე „ქიმერიონი" (1919); ლ. გუდიაშვილის ცნობით, ს-ის მოხატულია კაფეში ჩასასვ- ლელი კიბის მარცხ. მხარე. მისი მოხა- ტულობა ხასიათდებოდა მდიდარი კოლო- რიტით, ექსპრესიულობით, მისტიფიცირე- ბული სახეებით. ეკუთვნის რამდენიმე ნა- წარმოები ქართ. მოტივებზე. 1920 გაემგ- ზავრა პარიზში; 1923-იდან ცხოვრობდა ნიუ-იორკში. გააფორმა სპექტაკლები „მეტ- როპოლიტენ ოპერაში". აღსანიშნავია ი. სტრავინსკის ბალეტის „პეტრუშკას" (1924), ოპერა „ბულბულისა" (1925) და სხვ. მხატვრული გაფორმება.

ლიტ.: Дзуцова И. П., Элизбарашвили Н. А., С. Ю. Судейкин в Грузии; კრ.: Музей, [ა.] 1, М., 1980; Коган Д. З., Сергей Юрьевич Судейкин. 1882—1946, М., 1974. *ქ. კინწურაშვილი.*

სუდეტები (პოლ. და ჩეხოსლ. Sudety, გერმ. Sudeten), მთები დას. ევ- როპაში, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და გდრ-ის ტერიტორიებზე. გადაჭიმულია 310 *კმ*-ზე. შედგება გასწვრივი ტექტონ. დადაბლებებით გაყოფილი ქედებისა და მასივებისაგან. წარმოადგენს ჩეხიის მასი- ვის ამაღლებულ კიდეს, სიმაღლე 1602 *მ* (მთა სნეჟკა). უმთავრესად აგებულია გრანიტებით, გნაისებით, პალეოზოური თიხა-ფიქლებით და ჟურკ. ქანებით, ცარ- ცული ქვიშაქვებითა და მერგელებით. მწვერვალები მოსწორებულია, კალთები— ციცაბო. თხემურ ნაწილში განვითარებუ- ლია ძველმყინვარული რელიეფი. ს-ზე აქვს სათავე მდ-ებს: ელბას (ლაბა), ოდერს, მორავას. ჰავა ზომიერია. ნა- ლექები 700—1400 *მმ* წელიწადში. კალ- თების ქვედა ნაწილი შემოსილია მუხ- ნარ-წიფლნარით, ზევით ნაძვნარ-ფიჭვნა- რია, 1200—1300 *მ*-ზე მაღლა — ბუჩქნა- რი, მდელო და ტორფნარი. ს-ში არის ეროვნ. პარკი, ბალნეოლ. კურორტები. ტურიზმი, სათხილამურო სპორტი.

სუდრაბკალნსი იანის (ნამდვ. სახელი და გვარი არვიდ სუდრაბკალნსი, 1925-მდე — არვიდ პეინე) [5 (17). V. 1894, ინწუკალნსი, ახლანდ. რიგის რ-ნი, — 4. IX. 1975, რიგა)], ლატვიელი საბჭ. პოეტი; ლატვ. სახ. პოეტი (1947); ლატვ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1973), სოციალ. შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1951-იდან. ს-ის ძირითადი



ს. სუდეიკინი. ი. იზრაილევიჩის პორტრეტი. კერძო კუთვნილება. ლენინგრადი.

ს. სუდეიკინი. „პასტორალი". 1900-იანი წლების დასასრული. კერძო კუთვნილება. ლენინგრადი.





ი. სუდრაბკალნსი.



ა. სუგოროვი.



სუშდალი. ლაზარეს ეკლესია. 1667. მარჯვნივ წინა პლანზე ანტიპის ეკლესიის ნაწილი (1745).

პოლიტიკური კრებულებია „ფრთოსანი არმანცი“ (1920), „გარდასახვა“ (1923), „ძმურ ოჯახში“ (1947; სსრკ სახელმწ. პრემია, 1948), „კიდევ ერთი გაზაფხული“ (1964, ლატვ. სსრ სახელმწ. პრემია, 1965), „იფანი ფანჯარასთან“ (1969) და სხვ. მას ეკუთვნის ლირ. მინიატიურათა წიგნები „ბრუნდებიან მერცხლები“ (1951), „საგაზაფხულო ფიქრები“ (1964) და სხვ. სსრკ VII—VIII მოწვევათა უმაღლ. საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

სუეცი, ქალაქი ჩრდ.-აღმ. ეგვიპტეში, სუეცის მუპაფაზის ადმ. ცენტრი. 194 ათ. მცხ. (1976). ნავსადგური სუეცის არხზე, წითელი ზღვიდან შესასვლელთან. მნიშვნელოვანი სატრანსპ.-სამრეწვ. ცენტრი. სარკინიგზო, საავტ. და საჰაერო მიმოსვლის კვანძი. ნავთობგადასაშუშ. და ნავთობქიმ. საწარმოები.

სუეცი, ძვ. ეგვიპტის ჩრდ.-აღმ. ნაწილი, აკავშირებს ხმელთაშუა და წითელ ზღვებს. ს. ა. უმოკლესი წყლის გზაა ატლანტისა და ინდ. ოკეანეების ნავსადგურებს შორის (8—15 ათ. *კმ*-ით ნაკლები აფრ. ირგვლივ გზაზე). ს. ა-ის ტრასა ითვლება პირობით გეოგრ. საზღვრად აზიასა და აფრიკას შორის. არხი სანაოსნოდ ოფიციალურად გაიხსნა 1869 წ. 17 ნოემბერს. სიგრძე 161 *კმ*, სიგანე წყლის ზედაპირზე 120—150 *მ*, ფსკერზე 45—60 *მ*. სიღრმე ფარვატერზე 12,5—13 *მ*. გემები არხში გასვლას საშუალოდ 11—12 *სთ* ანდომებენ. მთავარი ნავსადგურებია პორტ-საიდი (პორტ-ფუადთან ერთად) ხმელთაშუა ზღვიდან შესასვლელთან და სუეცი (პორტ-თაუფიკთან ერთად) წითელი ზღვიდან შესასვლელთან.

ს. ა-ის ტრასა გადის სუეცის ყელის ყველაზე დადაბლებულ და ვიწრო ნაწილში, კვეთს რამდენიმე ტბას, აგრეთვე მენზალის ლაგუნას. არხის ზონას მდინარის წყლით ამარაგებს ნილოსიდან გაყვანილი ისმაილიის არხი. არხის საერთაშ. საზღვ. კომუნიკაციების ცენტრში მდებარეობამ განაპირობა მისი დიდი დატვირთვა (22545 გემი, 1982). გადასაზიდი ტვირთის დიდ ნაწილს შეადგენს ნავთობი და ნავთობპროდუქტები. მიმდინარეობს (1984) არხის რეკონსტრუქცია.

ნილოსისა და წითელი ზღვის შემაერთებელი არხი ძვ. ეგვიპტეში ჯერ კიდევ დაახლ. ძვ. წ. II ათასწლეულში აშენდა. 1854 ფრანგმა დიპლომატმა და მეწარმემ ფ. *ლესეფსმა* აიღო კონცესია ეგვიპტის ხელისუფლებისაგან ს. ა-ის გასაყვანად. „სუეცის არხის კომპანია“ ეგვ. კომპანიად ითვლებოდა, მაგრამ მალე ეგვიპტე აიძულეს მიეყიდა თავისი წილი აქციები ბრიტ. მთავრობისათვის, ხოლო მოგების 15%-ის მიღების უფლება — საფრ. ბანკისათვის. არხის გაყვანა დაიწყო 1859, დამთავრდა 1869. ძირითადი სამუშაო შეასრულეს ეგვ. ფელაჰებმა, 1882 ინგლ. ჯარების მიერ ეგვიპტის ოკუპაციის შემდეგ ს. ა. იქცა ინგლ. მთავარ სამხ.-სტრატეგიულ ბაზად ახლო აღმოსავლეთში. 1888 კონსტანტინოპოლში დაიდო საერთაშ. კონვენცია. 1936 ინგლ.-ეგვ. ხელშეკრულებით ს. ა-ის ოკუპაციის ვადა განისაზღვრა 20 წლით. 1956 წ. 26 ივლ. ეგვიპტემ მოახდინა ს. ა-ის კომპანიის ნაციონალიზაცია; ამასთან ძალაში დატოვა 1888 კონვენცია. 1956 ოქტ. ბოლოს ინგლისმა და საფრანგეთმა ისრაელთან ერთად მიმართეს სამხ. ინტერვენციას ეგვ. წინააღმდეგ და დააზიანეს ს. ა. არხზე ნაოსნობა განახლდა 1957 წ. 24 აპრილს. ისრაელის აგრესიის გამო 1967—73 ნაოსნობა შეწყდა, რის შედეგადაც მსოფლიო ეკონომიკა ყოველწლიურად 5 მლრდ. დოლარამდე ზარალს განიცდიდა. 1974—75 ს. ა. გაიწმინდა, მოხდა მისი რეკონსტრუქცია, 1975 წ. 5 ივნისს ნაოსნობა განახლდა.

ამჟამად არხის სამართ. რეჟიმი განისაზღვრება კონსტანტინოპოლის 1888 მრავალმხრივი კონვენციითა და ეგვ. საკანონმდებლო აქტებით. ს. ა. ეგვ. სუვერენიტეტს ექვემდებარება. ამავე დროს მოქმედებს ს. ა-ზე ყველა სახელმწიფოს სავაჭრო გემებისა და სამხ. ხომალდების თავისუფალი გავლის პრინციპი (ეგვიპტესთან ომის მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს გემებისა და ხომალდების გარდა); დადგენილია არხში გავლის წესები. ს. ა-ის ზონა ნეიტრალიზებულია, ე. ი. ამოღებულია საბრძოლო მოქმედების სფეროდან, აკრძალულია ს. ა-ის ბლოკადა.

სუეცის ყელი, აფრიკისა და აზიის დამაკავშირებელი და ხმელთაშუა ზღვისა და წითელი ზღვის გამყოფი ტერიტორია. სიგანე თითქმის 112 *კმ*. მდებარეობს ტექტონ. დაძირვის ზონაში. თიხოვანი ვაკეა; დას-ით ქვიშიანი დიუნები და ბარხანებია. არის მლაშე ტბები (დიდი მწარე ტბა და სხვ.). ჰავა სუბტროპ. უდაბნოსია. ს. ყ-ზე გაყვანილია *სუეცის არხი*.

სუეცის ჭურა, ყურე წითელ ზღვაში. სინის ნ.-კ-სა და აფრიკის ნაპირს შორის. სიგრძე დაახლ. 325 *კმ*, სიგანე 15—46 *კმ*. სიღრმე 80 *მ*-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1,8 *მ*. *სუეცის არხით* შეერთებულია ხმელთაშუა ზღვასთან. დიდი ნავსადგურია სუეცი.

სუვა (Suva), ფიჯის დედაქალაქი. ქვეყნის სამრეწვ., სავაჭრო და კულტ. ცენტრი. გაშენებულია კ. ვიტი-ლევუს სამხრ.-აღმ. ნაპირზე. ჰავა ტროპ., ნოტიოა. საშ. წლ. ტემპ-რა დაახლ. 24°C. ნალექები 300 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. დაახლ. 75 ათ. მცხ. (1982). საზღვ. ნავსადგური, აეროპორტი. საშენ მასალათა, კეცების, საპნის მრეწვ. საწარმოები. გარეუბნებში — შაქრის ქ-ნები. ტურიზმი. დაარსდა XIX ს. 70-იან წლებში.

სუვანა ფუმა (დ. 7. X. 1901, ლუანგპრაბანგი), ლაოსის პოლიტიკური მოღვაწე, პრინცი. 1951—54, 1956—58, 1960—62 მეთაურობდა ლაოსის სამეფო მთავრობას. 1962-იდან იყო პრემიერ-მინისტრი დროებითი კოალიციური მთავრობისა (ეროვნ. ერთობის მთავრობა), რ-მაც ხელი მოაწერა ჟენევის შეთანხმებას (1962) ლაოსის საკითხზე. კოალიციის დაშლის შემდეგ (1963—64) იყო სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრი. 1972—73 მოლაპარაკებას აწარმოებდა ლაოსის პატრ. ფრონტთან, რ-ის შედეგად ვიენტიანში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მშვიდობის აღდგენისა და ეროვნ. თანხმობის მიღწევის შესახებ (1973 წ. 21 თებ.). 1974 აპრ.-დან 1975 დეკ-მდე მეთაურობდა ეროვნ. ერთობის დროებით მთავრობას. 1975 დეკ-იდან არის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ლაოსის სახ.-დემოკრ. რესპუბლიკაში.

სუვარდი სურიანინგრატი (Suwardi Surjaningrat) (2. V. 1889, ჯოკიაკარტა, — 26. IV. 1959, იქვე), ინდონეზიის ეროვნული მოძრაობის მოღვაწე. ცნობილია კი ჰაჯარ დევანტოროს სახელით (მიიღო 1928). 1919—23 მეთაურობდა ინდ. ეროვნ. პარტიას, რ-იც მოითხოვდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. 1922 დააარსა ორგანიზაცია ტამან სისვა, რ-იც ქმნიდა ეროვნ. სკოლებს ინდონეზიელების აღსაზრდელად პატრ. ანტიკოლონ. სულისკვეთებით. ინდონეზ. რესპ. შექმნის შემდეგ სახ. განათლების პირველი მინისტრი (1945); ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, უმთავრესად კულტ. სფეროში.

სუვერენი (ფრანგ. souverain), უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი.

სუვერენიტეტი სახელმწიფო (გერმ. Souveränität<ფრანგ. souveraineté — უზენაესი ხელისუფლება), სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა, რაც ვლინდება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტ. საქმიანობის სათანადო ფორმებში. ტერმ. „ს.“ პირველად შემოიღო ჟ. *ბოდენმა* XVI ს-ში. ს. ყველაზე უშუალოდ ვლინდება სახელმწიფოს უფლებათა სისტემაში, სახელდობრ, როგორიცაა: სახელმწიფოს უფლებამოსილება დაამყაროს მართლწესრიგი საზ-ბაში (თუნდაც იძულების გამოყენებით), დაიცვას მოვალეობა და მიანიჭოს უფლებები თანამდებობის პირებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მოქალაქეებსა და ა. შ. სოციალ. სახელმწიფოს ს-ის საფუძველია ხალხის სრულძალაუფლებიანობა, რაც უზრუნველყოფილია ხალხის სუვერენული უფლებებით საზ. ცხოვრების ყველა სფეროში და ხორციელდება სოციალ. დემოკრატიის ინ-ტების საშუალებით.

ს. დამოუკიდებელს ხდის სახელმწიფოს საერთაშ. ურთიერთობებში; იგი გამოდის როგორც საერთაშ. სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. სსრკ-ის ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან ხორციელდება სუვერენული თანასწორობის პრინციპის დაცვის საფუძველზე (სსრკ კონსტ., მ. 29), მათი სოც.-პოლიტ. წესწყობილების, ეკონ. განვითარების, ტერიტ. სიდიდის, მოსახლ. რაოდენობისა და სხვა პირობებისაგან დამოუკიდებლად. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, როგორც თანამედროვე საერთაშ. სამართ. ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, განმტკიცებულია გაეროს წესდებაში.

სუვონი, ქალაქი სამხრ. კორეაში, კიონგიდოს პროვინციაში, სეულის სამხრ-ით. 311 ათ. მცხ. (1980). დიდი სატრანსპ. კვანძი სეული—ტეჯონ—პუსანის სარკინიგზო მაგისტრალსა და ავტოსტრადაზე. დიდი აეროდრომი. საფეიქრო, აგრეთვე კვების მრეწვ. და სხვა საწარმოები. მიწათმოქმედების რ-ნის ცენტრი.

სუვოროვი ალექსანდრე ვასილის ძე [13 (24). XI. 1730, მოსკოვი, — 6 (18). V. 1800, პეტერბურგი, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში], რიმნიკის გრაფი (1789), იტალიის თავადი (1799), რუსი მხედართმთავარი და სამხ. თეორეტიკოსი, გენერალისიმუსი (1799). 1742 ს. ჩაირიცხა ლაიბგვარდიის სემიონოვსკოეს პოლკში რიგით ჯარისკაცად. 1748 კაპრალად დაიწყო სამსახური. 1754 მიიღო ოფიცრის ჩინი. 1756—58 მსახურობდა სამხ. კოლეგიაში, *შვიდწლიანი ომის* (1756—63) დროს 1758-იდან საშტაბო და სამეთაურო თანამდებობებზეა, მონაწილეობდა კუნერსდორფის ბრძოლაში (1759), ბერლინისა (1760) და კოლბერგის (1761) აღებაში. 1762 მიიღო პოლკოვნიკის ჩინი და დაინიშნა ასტრახანის, ხოლო 1763 სუზდალის ქვეითი პოლკის მეთაურად. 1768—72 კონფედერატების ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა პოლონეთში. 1770 მიიღო გენ.-მაიორის ჩინი. 1772 მეთაურობდა სანქტ-პეტერბ. დივიზიას. რუს.-ოსმ. ომში (1768—74) მონაწილეობისა და ბრწყინვალედ ჩატარებული ბრძოლებისათვის 1774 გენ.-პორუჩიკის ჩინი მიიღო. 1774 აგვ-ში იმპ. ეკატერინე II-ის ბრძანებით გაიგზავნა გლეხთა ომის ჩასახშობად, რ-საც ე. პუგაჩოვი წინამძღოლობდა. ს-ს დიდი დამსახურება მიუძღვის რუსეთთან ყირიმის შემომტკიცების საქ-

მეში. 1786 მან გენ.-ანშეფის ჩინი მიიღო. რუს.-ოსმ. ომის (1787—91) დროს ს-მა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ფოქშანისთან (ივლ. 1789) და რიმნიკთან (სექტ. 1789). 1790 წ. 11 (22) დეკ. ს-მა შტურმით აიღო თურქთა ძლიერ გამაგრებული ციხესიმაგრე იზმაილი. 1791—94 მეთაურობდა სხვადასხვა შენაერთს ფინეთში. 1794 თავისი ჯარით გაიგზავნა პოლონეთის აჯანყების (1794) ჩასახშობად. გამარჯვებულმა ს-მა ჰუმანურობა გამოიჩინა „აჯანყებულთა“ მიმართ (გაათავისუფლა ტყვეები, აკრძალა რეკვიზიცია და ა. შ.). ეკატერინე II-მ ფელდმარშლობა უბოძა. 1795—96 ს. სარდლობდა უკრაინაში (ქ. ტულჩინში) დაბანაკებულ ჯარებს. ამ პერიოდში მან დაწერა თავისი ცნობილი წიგნი — „გამარჯვების მეცნიერება“. იმპ. პავლე I-თან უთანხმოების გამო ს. არმიიდან დაითხოვეს და გაგზავნეს თავის მამულში, ნოვგოროდის გუბერნიის სოფ. კონჩანსკოეში. 1799 თებ-ში, როცა რუსეთი ჩაება მე-2 ანტიფრანგულ კოალიციაში (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ოსმალეთი, ორიენე სიცილიის სამეფო) მოკავშირეთა თხოვნით პავლე I იძულებული გახდა ს. იტალ. ლაშქრობაში მყოფი რუს. ჯარის მთავარსარდლად დაენიშნა. მას დაუქვემდებარეს ავსტრიის ჯარიც. იტალიის ლაშქრობის (1799) ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ პავლე I-მა ს-ს უბრძანა ჯარის შეეიცარიაში გადაყვანა. 1799 წ. 31 აგვ. (11 სექტ.) დაიწყო ცნობილი ს-ის შეეიცარიის ლაშქრობა, რ-იც სამხ. ხელოვნ. უბადლო ნიმუში გახდა. რუს. არმიამ გამოიჩინა არნახული გმირობა (ამ ლაშქრობაში ს-ს ახლდა პ. ბაგრატიონი). ს-ს გენერალისიმუსის წოდება მიენიჭა. მალე პავლე I-მა გაწყვიტა კავშირი ავსტრიასთან და ს. რუსეთში გაიწვია. არმიიდან დათხოვილი ს. მალე გარდაიცვალა.

ს-ის მხედართმთავრული ნიჭი და მისი სამხ. მემკვიდრეობა სათანადოდ შეფასდა საბჭ. ხელისუფლების წლებში. დაწესდა სუვოროვის I, II და III ხარისხის ორდენი. შეიქმნა *სუვოროვის სასწავლებლები*. ლენინგრადსა და რიგ სხვა ქალაქებში არის სუვოროვის სახ. მუზეუმები და ძეგლები.

სუვოროვი, ქალაქი (1954-იდან) რსფსრ ტულის ოლქში. სუვოროვის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. ზბროდოვოდან 3 *კმ*, ტულიდან 90 *კმ*. წიგნის გამოცემის ტექნიკუმი. ს-ის მახლობლად იღებენ ქვანახშირს და ცეცხლგამძლე თიხებს; მოცულობითი ნართის ფ-კა.

სუვოროვის ორდენი, სამხედრო ორდენი, რ-იც დაწესდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წ. 29 ივლ. ბრძანებულებით. აჯილდოებენ მარშლებს, გენერლებსა და ოფიცრებს სანიმუშოდ ჩატარებული ბრძოლისა და ოპერაციებისათვის, რ-თა შედეგადაც მიღწეულია გამარჯვება. ორდენი 3 ხარისხისაა. ორდენის ნიშანი ხუთქიმიანი ვარსკვლავია. I ხარისხის ს. ო. დამზადებულია პლატინისაგან, II — ოქროსაგან, III კი — ვერცხლისაგან. ატარებენ მკერდის მარჯვ. მხარეს. იხ. ფერადი ჩანართი *ორდენები სსრ კავშირისა*.

სუვოროვის სასწავლებელი (სუვოროვის სამხ. სასწავლებელი) სსრკავშირში, სპეციალური სამხედრო სასწავლო დაწესებულება, რ-იც საერთო საშუალო განათლებასთან ერთად იძლევა სამხ. და სამხ.-ტექ. ცოდნას, რაც აუცილებელია სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით სწავლისა და ოფიცრის წოდებით შემდგომი სამსახურისათვის. შეიქმნა სსრკ სახკომსაბჭოსა და სკპ (ბ) ცკ-ის 1943 წ. 21 აგვ. დადგენილებით წითელი არმიის მებრძოლების, 1941—45 სამამულო ომის პარტიზანების, აგრეთვე ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლებში დაღუპული საბჭ. და პარტიული მუშაკების, მუშებისა და კოლმეურნეების შვილების აღზრდისა და სწავლისათვის. ეწოდა რუს. მხედართმთავრის ა. *სუვოროვის* საპატივცემულოდ. ს. ს-ში იღებდნენ 10 წლის ბიჭებს. სწავლის ვადა იყო 7 წელი. 1964-იდან ს. ს. კომპლექტდება 8 — კლასდამთავრებული 15—16 წლის ფიზიკურად ჯანმრთელი ჭაბუკებით. სწავლის ვადა — 2 წელი. 1975 წ. 8 ს. ს. იყო.

სუზდალი, ქალაქი რსფსრ ვლადიმირის ოლქში. სუზდალის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. გავრილოვ-პოსადიდან 28 *კმ*, ვლადიმირიდან 26 *კმ*. ს. ერთ-ერთი უძველესი რუს. ქალაქია. პირველად იხსენიება 1204. XII ს. I ნახევარში, იური დოლგორუკის დროს, ს. როსტოვ-სუზდალის სამთავროს ცენტრი იყო, შემდეგ შედიოდა *ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში*. XIII ს-იდან დამოუკიდებელი სუზდალის სამთავროს დედაქალაქია. 1238 დაწვეს მონღოლ-თათრებმა. XIV ს. I ნახევარში იყო სუზდალ-ნიჟნი-ნოვგოროდის სამთავროს დედაქალაქი, 1392 შევიდა მოსკ. დიდი სამთავროს შემადგენლობაში. ს. ძლიერ დაინგრა პოლ.-ლიტვ. ინტერვენციის დროს (XVII ს. დასაწყ.). 1796-იდან ს. ვლადიმირის გუბ. სამაზრო ცენტრი იყო. ახლანდ. ს. ტურიზმის დიდი ცენტრია. ქალაქი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1974).

ქალაქს შენარჩუნებული აქვს XVIII ს. დაგეგმარება (რეგულარული გენ. გეგმა 1788, განხორციელდა ნაწილობრივ). ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: ღვთისმშობლის შობის ტაძარი (1222—25, გადაკეთებულია; ფრესკები — XIII, XV, XVII სს., იკონოსტასი—XVII ს.), ფერისცვალების (1564, გადაკეთებულია; ფრესკები 1689, გ. ნიკიტინი და სხვ.; მონასტრის ტერიტორიაზეა დ. *პოჟარსკის* საფლავი), ღვთისმშობლის საფარველის (XVI—XVIII სს.) სამონასტრო ანსამბლები; ეკლესიები — ლაზარესი (1667), ანტიპისა (1745) და სხვ.; სავაჭრო რიგები (XIX ს. დასაწყ.). ს-ში არის აგრეთვე XVIII—XIX სს. ხის რამდენიმე ეკლესია.

სუინბერნი (Swinburne) ელჯერნონ ჩარლზ (5. IV. 1837, ლონდონი, — 10. IV. 1909, პატნი, ლონდონის მახლობლად), ინგლისელი პოეტი. განაგრძობდა რევ. რომანტიზმის ტრადიციებს. პირველი დრამები გამოაქვეყნა 1860 („დედოფალი-დედა“ და „როზამონდი“). ამ პერიოდში ახლოს იყო *პრერაფაელიტებთან*. ვიქტორიანულ პოეზიას დაუპირისპირდა კრებულით „ლექსები და ბალადები“ (1866); რესპ. იდეების მომხრე და ეკლესიის მტერია კრებულებში „სიმღერა იტალიაზე“ (1867) და „სიმღერები მზის ამოსვლის წინ“ (1871). მის პოეზიაში მკვეთრად ისმის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის, თავისუფლებისმოყვარეობის მოტივები („მკვდარი მეფე“, „14 ივლისი“, „ლაიოშ კოშუტს“ და სხვ.); „ლექსებისა და ბალადების“ მეორე სერიაში (1878), „გაზაფხულის მოზავთების სიმღერებში“ (1880) და სხვ. ჭარბობს სამიჯნურო, პეიზაჟური და ფილოს. ლირიკა, თვალსაჩინოა ბედისწერის თემა. ს-ის დრამატურგიული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ტრაგედია „ატალანტა კალიდონში“ (1865), დრამ. ტრილოგია: „შატელარი“ (1865), „ბოთუელი“ (1874) და „მარიამ სტიუარტი“ (1881). დაუსრულებელი დარჩა რომანი „ლეზბია ბრენდონი“ (გამოქვეყნდა 1952). ს-ს ეკუთვნის სხვა მრავალი დრამა, რომანი „ერთი წლის წერილები“ (1877), ისტ.-ლიტ. მონოგრაფიები. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია ჰუმანიზმი, ორატორული პათოსი; ლექსი მდიდარია სიმბოლოებით, ალეგორიებით, მეტაფორებით, ხშირად მიმართავს ალიტერაციას, რითმის რთულ სისტემას.

თხზ.: Complete works, v. 1—20, L., 1925—27.

ლიტ.: История английской литературы, т. 3, М., 1958.

სუიტა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, ოსაკის პრეფექტურაში. ოსაკის სამრეწვ. ქალაქ-თანამგზავრი. 332 ათ. მცხ. (1980). მეტალ., მანქანათსაშ., საფეიქრო, კვების მრეწველობა. თესი.



ე. ჩ. სუინბერნი.

სუიტსი გუსტავ [18 (30). XI. 1883, კასტრე-ვინუს თემი, ახლანდ. ტარტუს რ-ნი, — 23. V. 1956, სტოკჰოლმი], ესტონელი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე. იყო პოლიტ. მოღვაწე, ესერი (1917—19). ტარტუს უნ-ტის პროფესორი (1921—44). როგორც ფაშიზმის მოწინააღმდეგე, 1944-იდან ემიგრაციაში წავიდა ფინეთში, შემდეგ შვეიცარიაში. ლიტ. მოღვაწეობა 1899 დაიწყო. ლიტ. ჯგუფის „ნოორ-ეესტის“ („ახალგაზრდა ესტონეთის“) ინიციატორი. ესტ. პოეზიის განვითარებაში ახ. ეტაპს მოასწავებდა ს-ის პოეტური კრებულები „სიცოცხლის ცეცხლი“ (1905), „ქართა ქვეყანა“ (1913), „ეს ყველაფერი სიზმარია“ (1922), ბოლო კრებულში „ცეცხლი და ქარი“ (1950, სტოკჰოლმი) შეინიშნება ემიგრანტული ანტისაბჭ. სულისკვეთება. ს-ს ეკუთვნის „ესტონური ლიტერატურის ისტორია“ (1953).

სუიჯერტი (Swigert) ჯონ (30. VIII. 1931, დენვერი, კოლორადოს შტ., — 1982), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი. დაამთავრა კოლორადოს უნ-ტი (1953), პოლიტექ. ინ-ტი რენსელერში (1965) და ჰარტფორდის უნ-ტი (1967). ბაკალავრი და მაგისტრი. კოსმონავტთა ჯგუფშია 1966-იდან. 1970 წ. 11—17 აპრ. ჯ. *ლოველსა* და ფ. *ჰეიზთან* ერთად გაფრინდა მთვარეზე ხომალდ „აპოლონ-13-ით“. ავარიის გამო მთვარეზე დაშვება გაუქმდა, ხომალდმა შემოუფრინა მთვარეს და დაბრუნდა დედამიწაზე.



ჯ. სუიჯერტი.

სუკაბუმი (Sukabumi), ქალაქი ინდონეზიაში, იავის სამხრ.-დას. ნაწილში, ვულკან პანგრანგო-გედეს ძირას. 100 ათ. მცხ. (1980). რკინიგზის სადგური ჯაკარტა—ბანდუნგის ხაზზე. კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ლითონდასამუშ. მრეწველობა.

სუკარნო აჰმედ (Sukarno) (6. VI. 1901, სურაბაია, — 21. VI. 1970, ჯაკარტა), ინდონეზიის საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა მასწავლებლის ოჯახში. 1925 დაამთავრა ბანდუნგის ტექნოლ. ინ-ტი. ინდონეზ. ეროვნ. პარტიის (შეიქმნა 1927) პირველი თავ-რე. ანტიკოლონ. მოღვაწეობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. 1945 წ. 17 აგვ. ინდონეზ. ხალხის სახელით ინდონეზიის დამოუკიდებლობა და ინდონეზ. რესპ. შექმნა გამოაცხადა, გახდა მისი პირველი პრეზიდენტი. 1955 ს. იყო ერთ-ერთი ინიციატორი აზიისა და აფრ. ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის. 1963 დროებითმა სახ. საკონსულტაციო კონგრესის (დსსკ) სესიამ მას „რევოლუციის დიდი ბელადის“ წოდება მიანიჭა და რესპ. მუდმივ პრეზიდენტად დანიშნა. 1965 წ. 30 სექტ. ამბების შედეგ რესპუბლიკას სათავეში მოექცა მემარჯვენე სამხ. დაჯგუფება, რის შედეგად ს-ს გავლენა ინდონეზ. პოლიტ. ცხოვრებაზე შემცირდა. 1966 ივლ. დსსკ სესიამ გააუქმა თავისი დადგენილება ს-ს მუდმივ პრეზიდენტად არჩევის შესახებ. 1967 წ. 20 თებ. ს-მ ოფიციალურად გადასცა პრეზიდენტის რწმუნებები გენ. *სუჰარტოს*. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1960).



ს. სუკარნო.

სუკაჩოვი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე [26. V. (7. VI). 1880, სოფ. ალექსანდროვკა, ხარკოვის გუბ. — 9. II. 1967, მოსკოვი], საბჭ. ბოტანიკოსი, მეტყევე და გეოგრაფი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943), სოციალ. შრომის გმირი (1965). სკკპ წევრი 1937-იდან. 1944—59 სსრკ მეცნ.

ვ. სუკაჩოვი.



ა. სულაბერიძე.



შ. სულაბერიძე.

აკად. სატყეო ინ-ტის (ამჟამად სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის გ. სუკაჩოვის სახ. სატყეო ინ-ტი, კრასნოიარსკი) დირექტორი, სსრკ მეცნ. აკად. ტყეთმცოდნეობის ლაბორ. (1959) და ბოტან. ინ-ტთან არსებული ბიოგეოცენოლოგიის ლაბორ. (1965) ხელმძღვანელი. ს. ბიოგეოცენოლოგიის ფუძემდებელია. იგი შეისწავლიდა ფიტოცენოზებს, მათ სტრუქტურას, კლასიფიკაციას, დინამიკას, გარემოსთან ურთიერთკავშირს. მისი ფიტოცენოლოგიური გამოკვლევები მჭიდროდ არის დაკავშირებული დენდროლოგიასა და მდელოთმცოდნეობასთან, პალეობოტანიკასა და სტრატიგრაფიასთან. ს-ის ნაშრომები ჭაობმცოდნეობის, დენდროლოგიის, გეობოტანიკის, მერქნიან მცენარეთა სისტემატიკისა და ბუნებრივი გადარჩევის ფორმების ექსპერ. შესწავლის შესახებ ფართოდ არის დანერგილი პრაქტიკაში.

ს. იყო მოსკ. ბუნების მკვლევართა საზ-ბის (1955–67) და საკავშ. ბოტან. საზ-ბის (1946-იდან) პრეზიდენტი, პოლ. მეცნ. აკად. წევრი (1959), ჩეხოსლ. მიწათმოქმედების აკად. წ.-კორ. (1927). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

თხზ.: Избр. труды, т. 1–3, Л., 1975.

სუჩი, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში (ილორის სოფსაბჭო), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 15 *მ*, ოჩამჩირიდან 5 *კმ*. ილორის კოლ-ბა „კომკავშირი“ (მეჩაიეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ილორში (1,5 *კმ*).

სუჯოტაი, შუა საუკუნეების ტაის სახელმწიფო. შექმნა XIII ს. I ნახევარში ტაის ბელადმა პო კუნ ბანგ კლანგ ტაომ (სატახტო სახელი სრი ინდრადიტია). მეფე რამაკამჰენგის დროს (განაგებდა 1275 — დაახლ. 1317) ს-ს ძლიერებამ ზენიტს მიაღწია. მისი საზღვრები დას-ით ანდამანის ზღვამდე, სამხრ-ით — მალაკის ნ.-კ-მდე აღწევდა. ს-ის კულტ. ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის სამხრეთის უძველესი მონქმერული მოსახლეობა. 1283 ქმერული ანბანის გავლენით შეიქმნა პირველი ტაიური ანბანი. ს-ს სახელმწ. ეკონომიკურად ძლიერი არ იყო და მალე დაიშალა რამაკამჰენგის გარდაცვალების შემდეგ. 1378 ს. აიუთაიის ვასალი გახდა, ხოლო 1438 აიუთაიამ მიიტაცა.

სუკრე (Sucre) ანტონიო ხოსე (3. II. 1795, კუმანა, ვენესუელა, — 4. VI. 1830, კოლუმბია), ამერიკაში ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომის (1810–26) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ს. ბოლივარის ერთ-ერთი თანამდგომი, გენერალი (1818), მარშალი (1824). 1810-იდან ფ. *მირანდას* ჯარში მსახურობდა. 1822 წ. 24 მაისს პიჩინჩასთან დაამარცხა ესპ. ჯარები. გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა პერუში აიაკუჩოსთან (1824 დეკ.) და 1825 თებ-ში ლა-პასში შევიდა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზემო პერუს ტერიტორიაზე ბოლივიის რესპ. შექმნაში (1825 აგვ.), რ-ის პრეზიდენტად გამოაცხადეს (1826 აპრ.). 1828 დატოვა ქვეყანა ბოლივარის საწინააღმდეგო აჯანყების გამო. დიდი კოლუმბიის ტერიტორიაზე შეჭრილი პერუს ჯარები დაამარცხა 1829 თებ. ხუნინთან. 1830 დიდი კოლუმბიის ეროვნ. კონგრესის პრეზიდენტად გამოაცხადეს, მოკლეს ოპოზიციონერებმა. ს-ს პატივსაცემად ქალაქს სამხრ. ბოლივიაში, ვენესუელის ჩრდ.-აღმ. შტატს, ეკვადორის ფულის ერთეულს სუკრე უწოდეს.

სუკრე (Sucre), ბოლივიის ოფიციალური დედაქალაქი, ჩუკისაკის დეპარტ. ადმ. ცენტრი. გაშენებულია პილკომაიოს ხეობაში, ცენტრ. კორდილიერის კალთებზე, 2700 *მ* სიმაღლეზე. ჰავა ტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 12°C, ივლ. 9°C. ნალექები 706 *მმ* წელიწადში. 79,9 ათ. მცხ. (1982). რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი, აეროპორტი. ნავთობგადასამუშ., ცემენტის, ხის დასამუშ., კვების მრეწველობა. თეატრი.

დააარსა ესპ. კონკისტადორმა პედრო დე ანსურესმა, უწოდა ლა-პლატა (ესპ. la plata — ვერცხლი), რადგანაც ეს რაიონი მდიდარი იყო ვერცხლის საბადოებით. მოგვიანებით ქალაქს ჩუკისაკა (ინდიელთა ენაზე choque-chaca — ვერცხლის მთა) უწოდეს. 1809 წ. 25 მაისს ჩუკისაკაში აჯანყება დაიწყო, რითაც დასაბამი დაედო ზემო პერუს (ბოლივიის სახელწ. კოლონ. პერიოდში) დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. 1839-იდან ქალაქი ა. ხ. *სუკრეს* სახელს ატარებს.

ქალაქის ცენტრში მდებარეობს 25 მაისის სახ. სამკუთხა მოედანი, პარკი, ტაძარი (საფუძველი ჩაეყარა 1571, დამთავრდა XVIII ს-ში), მთავრობის სახლი (1892), კანონმდებლობის საკრებულოს სასახლე და სხვა საზ. ნაგებობანი, ა. ხ. სუკრეს ძეგლი (1909); ქალაქის ჩრდ. ნაწილში — თავისუფლების მოედანი, თავისუფლების ობელისკი, თეატრი და სხვ. შემონახულია XVI–XVII სს. ეკლესიები.

ს-ში არის უნ-ტი, უმაღლესი პედ. სკოლა, პოლიტექ. ინ-ტი; სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, ეროვნ. ბ-კა და ბოლივიის არქივი, მუზეუმები.

სუკრე (ესპ. sucre) ფულის ერთეული ეკვადორში; შემოიღეს 1884 წ. 1 ს.= 100 *სენტავოს*.

სუკულენტები (ლათ. succulentus— წვნიანი, წყლიანი), ქსეროფილური მცენარეთა ერთ-ერთი ჯგუფი. აქვთ ხორცოვანი წვნიანი ფოთლები (ალოე, კლდისვაშლა, კლდისდუმა და სხვ.) ან გამსხვილებული ღერო და რედუცირებული ფოთლები, რ-ებიც ზოგჯერ ეკლებადაა გადაქცეული (კაქტუსები და ზოგიერთი რძიანა). ს-ის უმეტესობა მრავალწლოვანი მცენარეა, წვნიანობა გამოწვეულია კარგად განვითარებულ პარენქიმულ ქსოვილში წყლისშემცველი უჯრედების არსებობით. ს-თვის დამახასიათებელია ტრანსპირაციის მეტად დაბალი ინტენსივობა. რაც უფრო მეტია ფოთოლში წყლის შემცველობა (დაკავშირებული მის სისქესთან) და ნაკლებია აორთქლების ზედაპირი, მცენარე მით უფრო სუკულენტურია. გარდა იმ ს-ისა, რ-თაც ახასიათებთ ხორცოვანი მიწისზედა ნაწილები (ფოთლები, და ღერო), არსებობს ისეთებიც, რ-ებსაც ხორცოვანი მიწისქვეშა ნაწილი აქვთ (მაგ. Neorantenia amphoensis). ს-ის უმეტესობა გავრცელებულია ცენტრ., ჩრდ. და სამხრ. ამერ. უდაბნოებში, გვხვდება სამხრ. აფრიკაშიც. საქართველოში გავრცელებული ს. ძირითადად განეკუთვნება მსუქანასებრთა და დანდურისებრთა ოჯახებს. გვხვდება აგრეთვე ფხიჯასებრთა და ორფურასებრთა რამდენიმე სუკულენტური სახეობა. თბილისის ბოტან. ბაღსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე გაველურებული *ოპუნცია* სუკულენტური მცენარეა. *მ. კაჭარავა.*

სუკური, ქალაქი პაკისტანში, სინდის პროვინციაში, მდ. ინდის მარჯვ. ნაპირზე. 159 ათ. მცხ. (1972). რკინიგზის სადგური. სავაჭრო-სამრეწვ. ცენტრი. ზეთსაწდელი და კვების მრეწვ. სხვა დარგები. სხვადასხვაგვარი ხელოსნობა.

სულა ლუციუს კორნელიუს (Lucius Cornelius Sulla) (ძვ. წ. 138, — ძვ. წ. 78), ძვ. რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გაღარიბებული პატრიციული ოჯახიდან. დაწინაურდა იუგურთას ომის დროს (111–105). მოკავშირეთა ომის (91–88) დროს როგორც ლეგატმა და სამხ. ტრიბუნმა თავი გამოიჩინა აჯანყებულ იტალიელთა განადგურებაში. 88 კონსული გახდა და მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ ომში მთავარსარდლად დაინიშნა, მაგრამ მისმა მეტოქემ, გაიუს მარიუსმა, კონსულის რწმუნებები და აღმოსავლეთის მთავარსარდლობა წართვა. ს. ნოლაში გაიქცა და აღმოსავლეთში გასამგზავრებლად გამზადებული ლეგიონები რომზე საიერიშოდ წამოიყვანა. ს-მ მოწინააღმდეგენი გაანადგურა, მარიუსი გაიქცა. ს. ერთპიროვნულ მბრძანებელი გახდა, სენატი გააძლიერა და თვითონ მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ გაემართა. მან საბერძნეთში ზედიზედ დაამარცხა პონტოელთა ჯარები. ამასობაში კორნელიუს ცინამ და გაიუს მარიუსმა ს-ს მომხრენი გაანადგურეს. ს. გადაყენებულად გამოაცხადეს და სიკრიაში საომრად თავისი ლეგიონები გაგზავნეს. ს-მ მითრიდატე VI ევპატორთან ზავი შეკრა, მარიუსელთა ლეგიონებიც გადაიბირა და დიდძალი ნადავლით იტალიაში დაბრუნდა. ს. რომის სრულუფლებიან დიქტატორ-პატრონი შეიქნა. მიიღო დიქტატურა, მაგრამ არა ტრად. ექვსთვიანი, არამედ მუდმივი (dictatura perpetua). ს-ს დიქტატურა ხასიათდებოდა სისხლით შინელი ტერორით, შემოიღო ე. წ. *პროსკრიპციები*, რ-ებმაც 5 ათ-მდე რომაელი იმსხვერპლა. ს-მ ახ. კანონები გამოსცა („კორნელიუსის კანონები“). ყოველ ჯარისკაცს მიწის ნაკვეთი გა. მოუყო, უბრად დაჯილდოდა. 120 ათ-ს კაცსა მიიღო მიწა. ამოწყვეტილ მარიუსელთა 10 ათ. მონა გაათავისუფლა. მან აკრძალა ღარიბთათვის უფასო ა. იაფფასიანი პურის დარიგება. თითქმის სრულიად გააუქმა სახ. ტრიბუნთა რწმუნებანი. საგანგებოდ გააძლიერა სენატი და მისი შემადგენლობა გაზარდა (300 იდან 600-მდე). უმაღლესი სასამართლო მთლიანად ოპტიმატებს გადასცა. 79 ს-ს დიქტატორის რწმუნებანი მოიხსნა და რომგორც კერძო პირი, პუტეოლიში წავიდა თავის ვილაში. დაკრძალულია რომში, მარსის მინდორზე, მეფეთა გვერდით, იქვე მისი ქანდაკება აღმართეს.

ლ. სანიკიძე

სულა (Sula), კუნძულთა ჯგუფი მალაის არქიპელაგში, კ. სულავესის აღმ-ით, ინდონეზიის ტერიტორია. ფართ. 4,8 ათ. *კმ*². დიდი კ-ებია ტალიაბუ, მანგოლე. უმთავრესად აგებულია ფიქლებით, გრანიტებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. სიმაღლე 1157 *მ*-მდე. ჰავა ეკვატორულია. ნალექები 1700–3000 *მმ* წელიწადში. შემოსილია ნოტიო ტროპ. ტყით. მოჭყავთ ბრინჯი, სიმინდი. თევზჭერა. მთავარი ნავსადგურია სანანა (კ. სულავესის ზე).

სულაბერიძე ალექსანდრე სერგის ძ. (16.IV. 1916, სოფ. ლესა-ჭინათი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი,—5. VIII. 1958, ბათუმი),საბჭ. კავშირის გმირი (21. III. 1940), სერჟანტი (1939). სკკპ წევრი 1940-იდან. ს. სწავლობდა ბათუმის საფაბრიკო-სა. ქარხნო სკოლაში, რ-ის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რკინიგზის სავაგონო დეპოში მემანქანის თანაშემწედ. 1937 გაიწვიეს წითელ არმიაში. სსრკ-ფინეთის ომში (1939–40) გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მსახურობდა ბათუმში. იყო ქიმიის ქარხნის დირექტორი. 1955 დაუსწრებლად დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი*

სულაბერიძე ლადო (ვლადიმერ) სიმონის ძე (დ. 20. IV. 1919, სოფ. შუამთა ვანის რ-ნი), ქართველი საბჭ. პოეტი. დიდი სამამულო ომის მონაწილე (1941–45). ლექსების პირველი კრებ. „ყირიმის ღამეები“ 1948 გამოაქვეყნა. ს-ის ლექსებისა და პოემების ძირითადი კრებულები „წარწერები კლდეზე“ (1957), „ჩრდილებმღერიან“ (1968), „მზე მავთულხლართებში“ (1969), „რჩეული“ (1971), „რჩეული ლირიკა“ (1980). ს-ის ლექსები თარგმნილია რუს., უკრ., სომხ., აზერბ., ფრანგ., პოლ., უნგრ. ენებზე.

სულაბერიძე ფრიდონ სილიბისტროს ძე (დ. 24. X. 1941, თბილისი), ქართველი მოცეკვავე, საქ. სსრ სახ. არტისტი (1971).

1959 დაამთავრა თბილ. კულტ.-საგანმ. სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყ-ბა. 1960—75 საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო. ს. მაღალი ოსტატობით ასრულებდა სოლო ჰარტიებს ცეკვებში: „ქართული“, „აჭარული“, „მოხეური“, „ძველი თბილისის სურათები“ და სხვ. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1957, ვარნა). 1975-იდან საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი. პედ. მოღვაწეობას ეწევა თბილ. ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში.

სულავა ალექსანდრე გიორგის ძე (4. VIII. 1904, სოფ. ღანირი, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — V. 1942, ქერჩის ნ.-კ.), ქართველი საბჭ. კრიტიკოსი. სკკპ წევრი 1939-იდან. 1925—27 სწავლობდა თსუ-ში. ლიტ. მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო (1925). პირველი კრიტ. წერილები 1927 გამოაქვეყნა, პირველი კრებ. „პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი საკითხები“ (თანაავტორი გ. ნატროშვილი) — 1931. ს-ს ეკუთვნის წიგნები: „პროლეტარული ლიტერატურისათვის“ (1932), „ფილიპე მახარაძე როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი“ (1933), „ლიტერატურული წერილები“ (1940). ს. დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო, ფრონტზე დაიღუპა.

თხზ.: წერილები, თბ., 1957.

რ. ქვერენჭილაძე.

სულავესი (Sulawesi), ც ე ლ ე ბ ე ს ი (Celebes), კუნძული მალაის არქიპელაგში, ინდონეზიის ტერიტორია. ფართ. დახლ. 170 ათ. კმ² (მიმდებარე კ-ებიანად დაახლ. 190 ათ. კმ²). აგებულია გრანიტებით, გნაისებით, მეზოზოური კირქვებითა და ახალგაზრდა დანალექი და ვულკ-ქანებით. არის ნიკლის, რკინის მადნისა და ძვირფასი ლითონების საბადოები. ნაპირები უმთავრესად ციცაბოა, ადგილ-ადგილ მარჯნის რიფებია. რელიეფი ძირითადად მთიანია. მაქს. სიმაღლე 3455 მ. არის მოქმედი ვულკანები. ხშირია მიწისძვრა. ჰავა სუბეკვატორული მუსონურია, ჩრდ. ნაწილში — ეკვატორული. სანაპიროს გასწვრივ მთელი წლის მანძილზე ჰაერის საშ. ტემპ-რა 25—27°C. ნალექები 2000—5000 მმ წელიწადში. მდ-ები მოკლეა და სწრაფი. ბევრია ტბა. ს-ის დიდი ნაწილი შემოსილია ეკვატორული ტყით, სამხრ-ით და მთათაშორის დახშულ ქვაბულებში სავანაა. ცხოველებიდან გვხვდება ენდემური სახეობები: გარეული ღორი ბაბირუსა, ჯუჯა კამეჩი ანოა, ქოჩორა მაკაკი და სხვ. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო. ფლორა და ფაუნა დაცულია ბუნებრივ პარკში. მოპყავთ ბრინჯი, ბატატი, ქოქოსის პალმა. ყავისა და კაუჩუკის პლანტაციები. თევზჭერა. დიდი ქ-ებია უჯუნგპანდანგი, მანადო.

I ათასწლ. დასასრ. და II ათასწლ. დასაწყისში ს-ზე აღმოცენდა ფეოდ. სახელმწიფოები: ბონე, გოვა, ლულუ და სხვ. XIII ს. დასასრ. და XIV ს-ში ს-ის სახელმწიფოები *მაჯაპაჰიტის* ვასალები იყვნენ. XVII—XX სს. დასაწყისში ს. ჰოლანდ. კოლონიზატორების ხელისუფლებას დაემორჩილა. ნიდერლანდის კოლონ. ომის დროს, 1946, ჰოლანდ. კოლონიზატორებმა ინდონეზ. რესპ. (გამოცხადდა 1945 წ. 17 აგვ.) წინააღმდეგ ს-ზე შექმნეს მარიონეტული სახელმწიფო აღმ. ინდონეზია (ცენტრი მაკასარი). 1949 ს. შევიდა ინდონეზ. შეერთებულ შტატებში, რ-იც 1950 უნიტარულ ინდონეზ. რესპუბლიკად გარდაიქმნა.

სულავესი (Sulawesi), ც ე ლ ე ბ ე ს ი ს ზ ღ ვ ა, კუნძულთშორისი ზღვა წყნარ ოკეანეში, კ-ებს სულავესის, კალიმანტანს, მინდანაოს, სანგიჰესა და სულუს არქიპელაგს შორის. ფართ. 453 ათ. კმ². მაქს. სიღრმე 5914 მ. აღმ. ნაპირი შემოსილია მანგროვიანით. სულუს არქიპელაგთან ბევრია მარჯნის რიფი. წყლის ტემპ-რა ზედაპირთან მთელი წლის მანძილზე 28°C, მარილიანობა 34,5‰. ს-ს საშუალებით წყნარი ოკეანის წყალი შედის ინდ. ოკეანეში. ფსკერული ნალექებია ვულკანოგენურ მასალას შერეული ცისფერი ტერიგენული ლამი. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 3 მ-ზე მეტი. ნავსადგურებია: მანადო (კ. სულავესი) და ტარაკანი (კ. ტარაკანი).

სულაიმანია, ქალაქი ერაყის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, სულაიმანიის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი. 98,1 ათ. მცხ. (1972). გაშენებულია მთაში, ქირქუქ—ბახთარანის (ირანი) საავტ. გზაზე. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. კვების, საფეიქრო, ცემენტის მრეწვ. საწარმოები.

სულა ქალმახის ერისთავი, XI ს. შუა წლების დიდი ქართველი ფეოდალი, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027—72) ერთგული ვასალი და მოხელე, ქალმახის (ციხე ტაოში) ერისთავი. სახელის მიხედვით სავარაუდოა, რომ სულა ეკუთვნოდა სამცხის დიდ ფეოდალთა — ბაჰლაუნდების შთამომავლობას — ახალ ჩორჩანელთა ანუ ლაკლაკთა საგვარეულოს (IX ს-ში ბაჰლაუნდების ფეოდ. სახლი დაეუფლა უშვილოდ გადაგებული სამცხის დიდი ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის მამულს და იწოდა ჩორჩანელად. შემდეგ ამ ახალ ჩორჩანელებს გამოეყო ლაკლაკთა საგვარეულო განშტოება. როგორც ახალ ჩორჩანელებში, ისე ლაკლაკებში გავრცელებული იყო სახელი „სულა“).

XI ს. შუა წლებში სულა, ისევე როგორც სხვა მესხი დიდებულები, დაუპირისპირდა კლდეკარის მემამულეს ლიპარიტ ბაღვაშს, რ-იც ამ პერიოდში გაბატონდა სამხრ. საქართველოში და დიდად შეავიწროვა საქართვ. მეფის ხელისუფლება. ამ ბრძოლის დროს ლიპარიტმა შეიპყრო სულა და გრიგოლ *აბუსერისძე*. შემდეგში ისინი გაექცნენ ლიპარიტს, თვით შეიპყრეს იგი და მიჰგვარეს ბაგრატ IV-ს. ჯილდოდ სულას მეფემ უწყალობა ციხისჯვარი და სამცხის ძვ. ადმ. ცენტრი — ციხე-ქალაქი ოძრხე. ამით საფუძველი ჩაეყარა სამცხეში გაბატონებულ ციხისჯვარელთა საგვარეულოს. სულას საგვარეულოს მეორე შტომ მამულად დაიმკვიდრა კალმახი და მიიღო კალმახელთა სახელწოდება. სამცხის დიდ ფეოდალთა მეორე — ჯაყელთა საგვარეულო XII ს. მიწურულს დაემცრო, დაკარგა ჯაყის ციხე (და ამდენად ჯაყელობა) და დარჩა მხოლოდ ფოცხოვის მემამულედ (ამიერიდან იწოდებოდა *ბოცოსძეებად*). ჯაყის ციხე და მასთან ერთად ჯაყელობა მიიღეს ციხისჯვარელებმა. ამის შემდეგ ისინი იწოდებოდნენ (XIII ს-ში) ციხისჯვარელ-ჯაყელებად. მათ XIII ს. 60-იან წლებში შექმნეს სამცხის სამთავრო (XIV ს-იდან — სამცხე-საათაბაგო). ამრიგად, სამცხის მთავართა — ჯაყელთა წინაპარი იყო ს. ჯ. ე.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ნ. შოშიაშვილი.

სულაკაური არჩილ სამსონის ძე (დ. 15. II. 1927, თბილისი), ქართველი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1971-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1951). 1973-დან — გამომც. „ნაკადულის“ დირექტორი, 1982-იდან — ჟურნ. „მნათობის“ მთავარი რედაქტორი. პირველი ლექსები 1946 „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოაქვეყნა, ლექსთა პირველი წიგნი 1951 გამოსცა. ს-ს ეკუთვნის პოეტური კრებულები „ჩემი ქუჩის დღესასწაული“ (1956), „საგზალი“ (1959), „ოთხივე მხრიდან“ (1975), „სიჩუმე“ (1978), „ლექსები“ (1980) და სხვ., რ-ებშიც, მედიტაციური ლირიკის სფეროში მცდელობასთან ერთად, შეინიშნება ძიებანი ურბანისტული სტილისტიკის წიაღშიც. მის პროზაულ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ (1957), „ბიჭი და ძაღლი“ (1966), „ოქროს თევზი“ (1966), „სალამურას თავგადასავალი“ (1969; შოთა რუსთაველის სახელმწ. პრემია, 1971), „ლუკა“ (1972), „თეთრი ცხენი“ (1984); კრებულები „მოთხრობები. რომანი“ (1972), „მოთხრობები“ (1975) და სხვ. თემის აქტუალურობამ, ეთიკური პრობლემებისადმი ინტერესმა, ჰუმანურობისკენ სწრაფვამ განსაზღვრა მისი მოთხრობების, რომანებისა და ე. წ. მოთხრობა-ზღაპრების წარმატება. ს-ის თხზულებები თარგმნილია რუს. და სსრკ სხვა ხალხთა, აგრეთვე უნგრ., გერმ., ჩეხ., ბულგ., პოლ., ინგლ., ფრანგ. ენებზე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ლექსები, მოთხრობები, თბ., 1977; ლექსები, თბ., 1980; დავიწყებული მისამართები, თბ., 1981; ერთტომეული, თბ., 1983.

ლიტ.: ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1975.



ა. სულავა.

სულაკი, მდინარე დაღ. ასსრ-ში, სიგრძე 144 კმ, აუზის ფართ. 15200 კმ². წარმოიქმნება ავარიის ყოისუსა და ანდის ყოისუს შეერთებით. სათავე აქვს კავკასიონის ქედზე. ზემოთში მიედინება კანიონებში (სიღრმე 700—1500 მ), მთიდან გამოსვლის შემდეგ — განიერ დატერასებულ ხეობაში. ერთვის კასპიის ზღვას დაჩენს დელტას. შერეული საზრდოობის მდინარეა, უმთავრესად იკვებება თოვლით. წყალდიდობა იცის აპრ-იდან სექტ. ბილომდე. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 123 კმ-ზე 176 მ³/წმ. ს-ის ნაპირზეა ქ. ყიზილიურთი. ს-ზეა ჩირიურთის და ჩირკეის ჰესები. იყენებენ სარწყავად და წყალმომარაგებისათვის.



ა. სულაკაური.

სულაქველიძე გიორგი კონსტანტინეს ძე [22. IV (5. V). 1913, დონის როსტოვი,—20. VIII. 1983, თბილისი], ქართველი საბჭ. გეოფიზიკოსი, მეტეოროლოგი, გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1957). საქ. სსრ (1974) და ყაბარდ.-ბალყ. ასსრ (1968) მეცნ. დამს. მოღვაწე. სკკპ წევრი 1948-იდან. 1939 დაამთავრა თსუ. 1961—70 იყო სსრკ ჰიდრომეტეოროლ. სამსახურის მთავარი სამმართველოს მაღალმთიანი გეოფიზ. ინ-ტის (ქ. ნალჩიკი) დირექტორი, 1970-იდან — თსუ-ის მეტეოროლ., კლიმატოლ. და ოკეანოლოგიის კათედრის გამგე. 1969 მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია რაკეტებითა და ჭურვებით სეტყვასთან ბრძოლის მეთოდისა და საშუალებათა დამუშავებისა და დანერგვისათვის. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Ливневые осадки и град, Л., 1967.

შ. ჯავახიშვილი.

სულაქველიძე ვიქტორ სამსონის ძე (დ. 15. XII. 1919, სოფ. მთისძირი, ახლანდ. ვანის რ-ნი, — 31. X. 1984, მოსკოვი), სამხედრო მეცნიერი, გენ.-მაიორ-ინჟინერი (1962), ტექ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1959) რსფსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე, (1972). სკკპ წევრი 1944-იდან. 1942 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის შექანიზაციის ფაკ-ტი. იმავე წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში, 1943 დაამთავრა ფ. ძერჟინსკის სახ. სამხ. საარტ. აკად., სადაც სამეცნ.-კვლ. და პედ. მოღვაწეობას ეწეოდა, იყო კათედრის უფროსი. დაჯილდოებულია 2 ორდენით და მედლებით, აგრეთვე უცხოური მედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

სულდა, მთა და ტაფობი ჯავახეთის ზეგანზე. მთა ს. აღმართულია მურაკვალის სერის ჩრდ.-აღმ. დაბოლოებაზე. სიმაღლე 2081 მ. ვულკანურია, გუმბათისებრი. შემოსილია სუბალპ. ბალახეულობით. ს-ის ტაფობი მდ. ქოდალის (მტკვრის



სულეიმან სტალსკი.

მარჯვ. შენაკადი) შუა დინებაშია, ზ. დ. 1850 *მ*. წარმოადგენს მდინარის ნალექებით ამოვსებულ ბრახისინკლინურ ღრმულს, აქვს ბრტყელი დაჭაობებული ფსკერი.

დ. ტაბიძე.

სულდა, სოფელი ახალქალაქის რ-ნში ჯავახეთის ზეგანზე, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ბოზალი, დადეში, მიასნიკიანი). ზ. დ. 1900 *მ*, ახალქალაქიდან 20 *კმ*. მეხორცეობა-მერძეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფლის ტერიტორიაზე არის პემზისა და პერლიტის საბადო.

სულევო, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ლესელიძის სოფსაბჭო), მდ. ფსოუს ხეობაში. ზ. დ. 220 *მ*, გაგრიდან 40 *კმ*. ლესელიძის კოლ-ბა „დრუება" (მებოსტნეობა, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა). დაწყ. და საშ. სკოლები, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი.

სულეიმან აბუ ლაილი („ღამის მამა") (1694 — 1762), ერაყის მამლუქი გამგებელი, ქართველი. 12 წლისა წაიყვანეს უცხოეთში და ერაყის გამგებელს — ჰასან-ფაშას მონად მიჰყიდეს. ნიჭისა და მამაცობისათვის ჰასან-ფაშამ იგი მონობიდან გაათავისუფლა და დააწინაურა. 1733 მას მირმირანის (მთავარსარდლის) ტიტული უბოძეს და ქაჰიის (ფაშას მოადგილის) თანამდებობაზე დანიშნეს. 1747 ადანის გამგებლად გადაიყვანეს, იქიდან ერთი წლის შემდეგ ბასრის მუთასალიმად (გამგებლად) გაგზავნეს, ხოლო 1749 ერაყის გამგებელი გახდა. ს-ის ზეობით იწყება ერაყში მამლუქთა გამგებლობის ხანა.

ბ. სილაგაძე.

სულეიმან ბუიუქი (დიდი) (1722—1802), ბაღდადის ფაშა (1780—1802). ახალგაზრდა ოსმალეთში ტყვედ გაყიდეს. იგი ბაღდადში მიიყვანა და ერაყის გამგებელ *სულეიმან აბუ ლაილს* უფუშქაშა მარდინის ეოევოდამ მუჰამად ეფენდი ბეგმა. აბუ ლაილმა თავისი თანამემამულე მამლუქთაგან დაკომპლექტებულ რჩეულ სამხ. რაზმში ჩარიცხა და დააწინაურა. 1765 ბასრის გამგებლად დანიშნეს. 1780 ერაყის ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში და 22 წელს განაგებდა. მისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო ერაყის გაძლიერება, ირანელთა თავდასხმებისა და არაბ ტომთა გამუდმებული თარეშის აღკვეთა, ვაჭრობისა და სოფ.-მეურნ. წახალისება. იგი არის ქულემენების ქართ. დინასტიის ფუძემდებელი ერაყში.

ბ. სილაგაძე.

სულეიმანი (ჯაყელი) (გ. 17. II 1791), ახალციხის ფაშა 1767 — 69 და 1770—91. 1768 მარტიდან 1769 იენ-მდე იმერეთის საქმეებსაც განაგებდა. 1769 ივნ. ბოლოს ს. ფაშობიდან გადააყენეს. 1770 ისევ დაინიშნა. აღადგინა ნორმალური ურთიერთობა იმერეთთან. ვერ ურიგდებოდა ერეკლე II-ის პრეტენზიებს სამცხე-საათაბაგოზე. 1783 გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ სათავეში ჩაუდგა კავკ. მაჰმადიანთა კოალიციურ ლაშქრობას საქართველოზე. ხელს უწყობდა ტყვეებით ვაჭრობას. 1783 არზრუმის სერასკერობა მიენიჭა. თანახმა იყო შესულიყო რუს. მფარველობაში, თუ ფაშობას შეუნარჩუნებდნენ.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975.

შ. ლომსაძე.

სულეიმანის მთები, მთები ირანის ზეგნის აღმ. კიდეზე, პაკისტანში (ჩრდ. შტოქედები ავღანეთში). გადაჭიმულია დაახლ. 600 *კმ*-ზე. სიმაღლე 1800—2100 *მ*, მაქს. — 3441 *მ*. შედგება გამჭოლი ხეობებით გაყოფილი პარალელური ქედებისაგან. უმთავრესად აგებულია კირქვებითა და ქვიშაქვებით. სეისმურია. ჰავა მშრალია, სუბტროპიკული. ჩრდ.-აღმ. კალთები განიცდის ზაფხულის მუსონის გავლენას. ჭარბობს მშრალი სტეპისა და მთის უდაბნოს ლანდშაფტები. სარწყავი მიწათმოქმედება, მებაღეობა.

სულეიმან I კანუნი (Süleyman I Kanuni), სულეიმან კანონმდებელი (ევრ. ლიტ-რაში სულეიმან დიდებული) (27. IV. 1495,— 6. IX. 1566, სიგეტვარი), ოსმალეთის სულთანი 1520—66. ატარებდა აქტ. დამპყრობლურ პოლიტიკას (იხ. *ავსტრია-ოსმალეთის ომები XVI—XVIII სს.*). მის დროს ოსმ. იმპერია გაფართოვდა და გაძლიერდა. 1521 აიღო ბელგრადი, *მოჰაჩის ბრძოლის* (1526) შემდეგ შემოიერთა უნგრ. დიდი ნაწილი; 30-იან წლებში დაიპყრო ერაყი, კ. როდოსი და ეგეოსის არქიპელაგის სხვა კ-ები, ტრიპოლიტანია, ალჟირი და სხვა ტერიტორია. ს. I კ. შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა ირანთან კავკასიისათვის (იხ. *ირან-ოსმალეთის ომები XVI—XVIII სს*). მის დროს შედგა კანონები (კანუნნამე) ადმ. წყობისა და ფინანსების, ცალკეული პროვინციების მდგომარეობის, სამხ.-ლენური სისტემის რეგლამენტაციის, მიწათმფლობელობის ფორმების, მოსახლეობის ბეგარისა და მიწაზე გლეხების მიმაგრების შესახებ. დიდ ყურადღებას აქცევდა მეჩეთების, სასახლეების, ციხესიმაგრეების და სხვ. მშენებლობას. ს. I კ. გარდაიცვალა უნგრეთში ლაშქრობის დროს.

სულეიმან რუსტამი (ნამდვ. სახელი და გვარი სულეიმან ალი-აბასოღლუ რუსტამზადე) [დ. 14 (27). XI. 1906, ბაქო], აზერბაიჯანელი საბჭ. პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1943), აზერბ. სახ. პოეტი (1960). სოციალ. შრომის გმირი (1976). სკკპ წევრი 1940-იდან. აზერბ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე (1971-იდან). ნაწარმოებებს აქვეყნებს 1923-იდან. ავტორია ლექსებისა (კრებ. „მწუხარებიდან სიხარულისკენ", 1927; „ვარსკვლავი", 1934; „ჩაპაევი", 1936; „ღამის რომანტიკა", 1938; „ორი ნაპირი", 1949; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), პოემისა „სიტყვა რუს მმაზე" (1960), დრამისა ლექსად „ყაჩაღი ნაბი" (1940, II რედ. 1948) და სხვ. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

სულეიმან სტალსკი (ნამდვ. გვარი ჰასანბეკოვი) (18. V. 1869, აული აშალა-სტალი, ახლანდ. ყასუმქენთის რ-ნი, დაღ. ასსრ, — 23. XI. 1937, იქვე; დაკრძალულია მაჰაჩყალაში), ლეზგი საბჭოთა პოეტი-აშუღი. ლეზგიური საბჭ. პოეზიის ფუძემდებელი. დაღ. სახ. პოეტი (1934). 1917 დიდი ოქტ. რევ. და 1918—20 სამოქალაქო ომის მონაწილე. თხზავდა ეპიგრამებს, მამხილებელ სიმღერებს, სატირულ ლექსებს. აღსანიშნავია მისი „ვაჭრები-ჩინოვნიკები" (1915), პოემა-ქრონიკა „დაღესტანი" (1935—36). ს. ს-მ თავის შემოქმედებაში ფოლკლორული საწყისები პროფ. ლიტ-რის სიმაღლემდე აიყვანა და მხატვრული სახეებით გაამდიდრა. გორკიმ მას „XX ს. ჰომეროსი" უწოდა სსრკ მწერალთა I ყრილობაზე. ს. ს-ს ლექსები თარგმნილია სსრკ ხალხთა მრავალ ენაზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სულეიმან ძეჩუქი (მცირე) (1785—1810), ბაღდადის ფაშა (1807—10), ქართველი. ქ. ბაღდადში წაიყვანა ბიძამ ჰაფიზ ალი-ფაშამ. იყო მამაცი გამგებელი. მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით წარმატებით იცავდა მამლუქთა რეჟიმს ირანის შაჰის, ვაჰაბიტებისა და ოსმ. სულთნის ხელყოფისაგან. მანვე ჩაფუშა საფრ. და ინგლ. ცდები, გადაექციათ ერაყი თავიანთ კოლონიად. დაიღუპა ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბ. სილაგაძე.

სულემა, ვერცხლისწყლის (II) ქლორიდი, $HgCl_2$, უფერული კრისტალები, $t_{დნ}$ 277°C, $t_{დუღ}$ 304°C, სიმკვრივე 5440 *კგ/მ*³; ადვილად განიცდის სუბლიმაციას. იხსნება სპირტში, ეთერსა და ძმარმჟავაში. ღებულობენ $HgSO_4$ და NaCl გახურებისას ან ვერცხლისწყლის დაქლორვით (გახურებისას). ს-ს იყენებენ კატალიზატორად ორგ. სინთეზში, ვერცხლისწყლის ნაერთების მისაღებად, მედიცინაში და სხვ. ს. ძლიერი საწამლავია.

სულთან ველედი (Sultan Velet) (1226, ყარამანი, — 1312, ქ. კონია), თურქი პოეტი. ჯალალ ალ-დინ *რუმის* ვაჟი. მთელი ცხოვრება გაატარა კონიაში, სუფიების წრეში. იქვე გარდაიცვალა. დაარსა მევლევიელთა ორდენი. ძირითადად წერდა სპარსულად. ავტორია მასნავისა „ველედნამე" (ველედის წიგნი), რ-იც შედგება 3 ნაწილისაგან: „იბთიდანამე" (წიგნი დასაწყისისა), „ინთიჰანამე" (წიგნი დასასრულისა) და „რებაბნამე" (რებაბის წიგნი). თხზულება აღწერს ჯალალ ალ-დინ რუმის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და მხატვრულად გადმოსცემს მისტ. მოძღვრების ძირითად დოქტრინებს. წიგნს მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მისი I და III ნაწილების დასასრულს დართული, თურქ. ენაზე დაწერილი ე. წ. „სელჩუკური ლექსები" თურქულენოვანი პოეზიის ერთ-ერთი უპირველესი ნიმუშებია.

ე. ჯაველიძე.

სულთანი (არაბ. სულტან — ძალაუფლება; ხელმწიფე, მბრძანებელი), ხელმწიფის ტიტული ზოგიერთ მაჰმადიანურ ქვეყანაში. თურქეთში შემორჩა 1922-მდე. მაროკოში — 1957-მდე. ს. იყო ეგვ. მმართველი XIII—XVI სს-ში და 1914—22. ს-ის ტიტულს ატარებენ მსხვილი ფეოდალები დას. აფრ. მუსლ. ქვეყნებში, ომანის მმართველი, ზოგი ტომის ბელადი სამხრ. არაბეთში.

სულთან მუჯამედი (1470-იანი წწ. დასასრ., თავრიზი, — 1555, იქვე), ირანელი მინიატურისტი. *თავრიზის სამინიატიურო სკოლის* თვალსაჩინო წარმომადგენელი. მოღვაწეობდა შაჰის ბ-კებში. ევალებოდა შაჰ-თამაზ I-ის მხატვრული აღზრდა. ს. მ-ის ნაწარმოებები (ხელნაწერები: ჰაფეზის „დივანი", 1520-იანი წწ. დასასრ., ფოგის მუზეუმი, კემბრიჯი, აშშ; ფირდოუსის „შაჰნამე", 1526—27, პაუტონის კოლექცია, აშშ;) ცალკეული მინიატიურები, რ-ებიც ინახება სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-კაში, (ლენინგრადი) გამოირჩევა დინამიკურობით, დახვეწილი ჰარმონიული კომპოზიციით, დეკორატიულობით. ს. მ. მრავალი პორტრეტული მინიატიურის ავტორია; ასრულებდა ხალიჩების ესკიზებს.

სული, ფილოსოფიური ცნება, რ-საც იყენებდნენ სხეულისაგან განსხვავებული, მაგრამ მასთან დაკავშირებული ობიექტის აღსანიშნავად. ს. განიხილებოდა როგორც აქტიური და სიცოცხლის მატარებელი საწყისი. ანიმალისტური წარმოდგენების თანახმად, ყოველ სხეულში ჩასახლებულია ს., რ-იც მას სიცოცხლეს ანიჭებს. რელიგ. მიხედვით, იგი არის რაღაც არამატერიალური, თავისთავადი, უკვდავი ძალა, რ-იც სხეულის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას იმქვეყნიურ სამყაროში. ობიექტური იდეალიზმი ს-ს მიიჩნევს არამატერ. სუბსტანციად. ზოგიერთი მისი წარმომადგენელი აღიარებს ს-ის უკვდავებას (პლატონი), ზოგიერთი — არა (ჰეგელი). დეკარტის დუალიზმის მიხედვით, არსებობს ორი სუბსტანცია — ს. და სხეული. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთის პარალელურია. მარქსიზმდელი მატერიალიზმი უარყოფდა ს-ს, როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციას და მიიჩნევდა მას სხეულის დამახასიათებელ თვისებურებად. დიალექტ. მატერიალიზმში ს. უარყოფილია როგორც დამოუკიდებელი სუბსტანცია და ფსიქიკური მოვლენებისაგან განსხვავებული რაღაც ძალა. იგი გაიგივებულია ფსიქიკასთან, რ-იც სხეულის სიკვდილთან ერთად კვდება და წყვეტს არსებობას. ს. (Seele, душа) უნ-

და გაენასხვავოთ გონისაგან (Geist, дух). პირველი სხეულის თვისებაა, მეორე კი — არა. გონი არის იდეალური შინაარსის, საზრისის ერთობლიობა, რ-იც არამატერიალურია, მაგრამ შეიძლება მატერიალურში იყოს რეალიზებული. მაგ., ენა, მეცნიერება, ღირებულებები, რ-თაც შესატყვისი მატერიალური გამოხატულება აქვთ. მიეკუთვნებიან გონითს სამყაროს. *ვ. ერქომაიშვილი.*

სულიაშვილი გრიგოლ სოკრატეს ძე (9. XII. 1894, სურამი, — 4. II. 1960, თბილისი), ქართველი საბჭ. რეჟისორი, პედაგოგი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). 1926 დაამთავრა მოსკ. ვ. მჭედლიშვილის ქართ. დრამ. სტუდია. ამავე წლიდან იყო თბილ. მუშათა თეატრის რეჟისორი. 1928 მიიწვიეს მეორე სახელმწ. თეატრში, რ-საც ხელმძღვანელობდა კ. მარჯანიშვილი. მასთან რეჟისორად იმუშავა კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტას“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერას“, დ. შენგელაიას „თეთრებისა“ და სხვ. დაღგმებზე. 1933—37 ხელმძღვანელობდა ქართვ. ებრაელთა დრამ. სტუდიას თბილისში. 1938—44 იყო ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის რეჟისორი, დადგმები: ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ა. აფინოგენოვის „მაშენკა“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, კ. სიმონოვის „რუსი ხალხი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვ. 1944-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. *შ. ცუცქირიძე.*

სულიაშვილი დავით სოკრატეს ძე (10. VI. 1884, დაბა სურამი, — 6. XI. 1964, თბილისი), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. სკკპ წევრი 1949-იდან. რევ. მოძრაობაში ჩაება 900-იან წლებში. რევ. პროპაგანდას ეწეოდა თბილ., ბათ. ფ-კა-ქ-ნების მუშებში, აქტ. მონაწილეობას ღებულობდა 1905—07 რევოლუციურ ბრძოლებში გორში, ჭიათურაში, შორაპანში. 1908 საზღვარგარეთ (ჟენევაში) გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, სადაც პირადად გაიცნო და ახლო ურთიერთობა დაამყარა ვ. ი. ლენინთან. 1917 თებ. რევ. გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინთან, მ. ცხაკაიასთან და ემიგრაციაში მყოფ სხვა რევოლუციონერებთან ერთად რუსეთში დაბრუნდა.

სამწერლო მოღვაწეობა ს-მა ჯერ კიდევ ემიგრაციაში ყოფნის დროს დაიწყო. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იგი ნაყოფიერ ლიტ. მოღვაწეობასთან ერთად მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. აქვს მოგონებები ვ. ი. ლენინზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე მედლით.

თხზ.: თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1962—63.

ლიტ.: სულიაშვილი თ., მთელი ცხოვრება ბრძოლაში, თბ., 1978.

გ. საითიძე.

სულიწმიდის მოფენა, სულთმოფენა, ქრისტიანული საუფლო დღესასწაული, იმართება ქრისტეს აღდგომის 50-ე დღეს. სახარების თანახმად, იერუსალიმში ქრისტეს მოწაფეებზე სულიწმიდა ცეცხლის ენებად გადმოსულა და მოციქულებს შესძენიათ უნარი ქრისტიანობა ექადაგათ სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ხალხში, მოეხდინათ სასწაულები და სხვ.

გ. ლომინაძე.

სულოაგა, სულოაგა ი საბალეტა (Zuloaga y Zabaleta) იგნასიო (26. VII. 1870, ეიბარი, ბილბაოს მახლობლად, — 31. X. 1945, მადრიდი), ესპანელი ფერმწერი. 1890-იან წლებში სწავლობდა პარიზსა და რომში. მუშაობდა პარიზსა და ესპანეთში. ს. ძვ. ესპ. ოსტატთა ტრადიციებზე დაყრდნობით ცდილობდა გადმოეცა მშრომელი ხალხის თვითმყოფადი ეროვნ. ხასიათი, ესპ. ბუნების თავისებურება. მისი ფერწერული მანერისათვის (უახლოვდება „მოდერნს“) დამახასიათებელია ნახატის სიმახვილე, თეატრალობა. ნამუშევრები: „ფიესტის გმირი“ (1910, ესპ. საზ-ბის კოლექცია ამერიკაში, ნიუ-იორკი), ი. შჩუკინის პორტრეტი (ერმიტაჟი, ლენინგრადი) და სხვ.



სულოაგა ი. მატადორ კორსიტოს პორტრეტი. 1909. კერძო კოლექცია. ნიუ-იორკი.

სულორი, მდინარე მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, რიონის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 2140 *მ*-ზე. სიგრძე 33 *კმ*, აუზის ფართ. 189 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალმოვარდნები იცის მთელი წლის განმავლობაში, წყალდიდობა — გაზაფხულზე. საშ. წლ. ხარჯი 3,95 *მ*³/*წმ*.

ი. აფხაზავა.

სულორი (ყოფ. დვალიშვილების თემი), სოფელი ვანის რ-ნში, მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 250 *მ*, ვანიდან 11 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 37 *კმ*. მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. და საშ. სკოლები, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. ს. ადგილ. მნიშვნელობის კლიმ.-ბალნეოლ. კურორტია. ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია. იცის რბილი, უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 5°C), და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 23°C). ნალექები 1600 *მმ* წელიწადში. სამკურნ. ფაქტორია დაბალი მინერალიზაციის (0,3—0,4 გ/ლ), სუსტი სულფიდური, სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი მინერ. წყალი (ტემპ-რა 35°C), რ-საც იყენებენ აბაზანებისათვის საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემის და გინეკოლ. დაავადებების სამკურნალოდ. არის საბაზანო შენობა და პანსიონატი. სეზონი — ივნ-იდან ოქტ. ჩათვლით.

გ. უშვერიძე.

სულტი (Soult) ნიკოლა ჟან დე დიე (29. III. 1769, სენტ-ამან-ლა-ბასტიდი, ახლანდ. სენტ-ამან-სულტი, ტარნის დეპარტ. — 26. XI. 1851, იქვე), საფრანგეთის მარშალი (1804), დალმაციის ჰერცოგი (1807). ნაპოლეონის ომების მონაწილე. 1805—07 სარდლობდა კორპუსს. 1808—12 და 1813—14 — არმიას ესპანეთში, პორტუგალიასა და სამხრ. საფრანგეთში. ნაპოლეონის გადადგომის შემდეგ სამხ. მინისტრი, „ასი დღის“ პერიოდში ნაპოლეონის მხარეზე გადავიდა. ივლ. რევოლუციის (1830) შემდეგ, 1830—32, სამხ. მინისტრი და 1832—34, 1839—47 — მინისტრთა საბჭოს თავ-რე.

სულუ (Sulu), კუნძულთა ჯგუფი მალაის არქიპელაგში, კალიმანტანისა და მინდანაოს კ-ებს შორის, ფილიპინების ტერიტორია. გადაჭიმულია 335 *კმ*-ზე. შედგება დაახლ. 400 კუნძულისა და რიფისაგან. ფართ. 2688 *კმ*². დიდი კუნძულები უმთავრესად აგებულია კრისტ. ქანებით. სიმაღლე 790 *მ*-მდე. პატარა კუნძულები უმთავრესად მარჯნული წარმოშობისაა. ჰავა ნოტიო ეკვატორულია, ნალექები 2000—3200 *მმ* წელიწადში. მარადმწვანე ტროპ. ტყე. მოჰყავთ ბრინჯი, სიმინდი; ქოქოსის პალმის პლანტაციები. თევზჭერა, მარგალიტის მოპოვება. დიდი ქალაქია ხოლო.

სულუ (Sulu), კუნძულთშორისი ზღვა წყნარ ოკეანეში, ფილიპინის, პალავანის, კალიმანტანის კ-ებსა და სულუს არქიპელაგს შორის. ფართ. 335 ათ. *კმ*². მაქს. სიღრმე 5576 *მ*. სამხრ. ნაპირზე არის მარჯნის რიფები. ზამთარში ზედაპირული წყლის ტემპ-რა დაახლ. 25,5°C, ზაფხულში — დაახლ. 29°C. სიღრმის წყლის (500 *მ*-იდან ფსკერამდე) ტემპ-რა 10°C-ზე მეტია. მარილიანობა 33—34,5‰. ფსკერული ნალექებია ვულკ. და ტერიგენული მასალას შერეული გლობიგერინული შლამი. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 2—3 *მ*-მდე. თევზის რეწვა. დიდი ნავსადგურებია: ილოილო, ზამბოანგა, სანდაკანი და პუერტო-პრინსესა.

სულჯი (Souloque) ფოსტენ ელი (დაახლ. 1782, პტი-გოავი, — 6. VIII. 1867, იქვე), ჰაიტის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1843). მონა ზანგი ქალის შვილი; სიცოცხლის ბოლომდე წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1793 მონობიდან გაათავისუფლეს. 1802—03 აქტიურად იბრძოდა საფრანგეთის წინააღმდეგ ჰაიტის დამოუკიდებლობისათვის. 1847-იდან ჰაიტის პრეზიდენტი, ხოლო 1849-იდან იმპერატორი ფოსტენ I-ის სახელით. დაამყარა სისხლიანი დესპოტური რეჟიმი. 1858 მის წინააღმდეგ ჯარი აჯანყდა, ტახტიდან გადადგა და იამაიკაზე გაიქცა, დაბრუნდა 1867.

სულეიმა, ქალაქი (1940-იდან) ყირგ. სსრ ოშის ოლქში, თურქესტანის ქედის ჩრდ. კალთაზე. სარკინიგზო ტოტით (37 *კმ*) დაკავშირებულია სადგ. პროლეტარსკთან (ბაკასთან — კოკანდის ხაზზე). იღებენ მურანახშირს. ხორცკომბინატი, კარაქის, აგურის ქ-ნები, სამკერვალო მრეწვ. საწარმოები.

სულფ ..., სულფო ... (<ლათ. sulphur, sulfur—გოგირდი), ქიმიური, სამედიცინო და სხვა ტერმინების შემადგენელი ნაწილი, რ-იც გოგირდთან კავშირზე მიუთითებს. მაგ., სულფატები, სულფომჟავები.

სულფანილამიდური პრეპარატები, სულფანილამიდები, ანტიმიკრობულ სამკურნალო ნივთიერებათა ჯგუფი, სულფანილის მჟავას ამიდის შემცველი რთული ორგ. ბუნების ნივთიერებანი, მათი ანტიმიკრობული მოქმედება (1934—35 აღმოაჩინა გერმ. მეცნ. გ. დომაგკმა) დაკავშირებულია კონკურენტულ დამოკიდებულებასთან პარაამინობენზომჟავას მიმართ, რ-იც შედის ფოლმჟავას ბიოსინთეზში მონაწილე ფერმენტული სისტემის შემადგენლობაში. ს. პ. აფერხებენ ფოლმჟავას წარმოქმნას და არღვევენ პურინისა და პირამიდინის, ხოლო შემდეგ კი ნუკლეინის მჟავასა და მიკრობული ცილების ბიოსინთეზს და ამით ხელს უშლიან ბაქტერიების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. სისხლში შეწოვის შემდეგ ს. პ. სწრაფად და შედარებით თანაბრად ნაწილდებიან სხვადასხვა ქსოვილში, მაგრამ ასევე სწრაფად გამოიყოფიან ორგანიზმიდან, ამიტომ სისხლში მათი თერაპიული კონცენტრაცია შედარებით მალე კლებულობს. სისხლში საჭირო კონცენტრაციის შესანარჩუნებლად და თერაპიული ეფექტის მისაღწევად მკურნალობის დასაწყისში ავადმყოფებს ენიშნებათ ს. პ-ის დიდი დოზები, მომდევნო დღეებში გამოჯანსაღებამდე კი — 4—6 *სთ*-ში ერთხელ.

ს. პ-ს ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრი აქვთ. ისინი მოქმედებენ პნევმოკოკებზე, მენინგოკოკებზე, გონოკოკებზე, ჰემოლიზური სტრეპტოკოკის ზოგიერთ ტიპზე, დიზენტერიის ჩხირზე და სხვ. მოქმედების თავისებურების მიხედვით განარჩევენ ხანმოკლე (სულფოდიმეზინი, სულფაზოლი, ნორსულფაზოლი, სტრეპტოციდი, ეთაზოლი, უროსულფანი) და ხანგრძლივი მოქმედების (სულფაპირიდაზინი, სულფადიმეტოქსინი), აგრეთვე ნაწლავებზე მოქმედ (ფთალაზოლი, სულგინი), ადგილ. მოქმედების (სულფაცილნატრიუმი) და სხვ. ს. პ-ს. ეს პრეპარატები ასუსტებენ ანთებით რეაქციებს. იყენებენ ანგინის, ცისტიტის, წითელი ქარისა და სხვ. დროს.

ს. პ-ის ხანგრძლივად და დიდი დოზებით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები — თავბრუ, თავის ტკივილი, მოდუნება, გულისრევა, პირღებინება, თირკმლების ფუნქციის დარღვევა, ალერგიული რეაქციები, ანემია, ნევრიტი და სხვ. ასეთ შემთხვევაში ს. პ-ის მიღება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და ჩატარდეს სიმპტომური მკურნალობა.

დ. კეპაძე.

სულფანილმჟავა, უფერული კრისტალები, წყალში, სპირტსა და ეთერში ცუდად

იხსნება. ღებულობენ ანილინსულფატის 180—200°C-ზე გახურებისას. ს-ს დიაზოტირებით მიღებულ დიაზობენზოსულფომჟავას იყენებენ *აზოსაღებრების* წარმოებაში. ს-ს ამიდს კი — მედიცინაში (თეთრი სტრეპტოციდი).

სულფატაზები, ფერმენტები *ჰიდროლაზების* კლასისა. ახდენენ გოგირდმჟავას ეთერების დაშლის კატალიზს, რის შედეგადაც გამოიყოფა თავისუფალი სულფატი. ს. დიდი რაოდენობითაა ცხოველებში, მცენარეებსა და მიკროორგანიზმებში. ცნობილია ს-ის სხვადასხვა ფორმა: არილ-, გლიკო-, ქონდრო-, სტეროლ-, ცელულოზოპოლი-ს., რ-თა შორის ყველაზე კარგად არის შესწავლილი არილ-ს.

სულფატები (ლათ. sulphur, sulfur — გოგირდი). *გოგირდმჟავას მარილები.* განასხვავებენ ორი სახის ს-ს: საშუალოს (ნორმალური) და მჟავურს (ჰიდროსულფატები). ს. კრისტალური, უფერული ნივთიერებებია; მათი უმეტესობა წყალში კარგად იხსნება; მცირედ ხსნადებია შემდეგი ს. (მინერალების სახით): თაბაშირი, ცელესტინი, ანგლეზიტი და სხვ. პრაქტიკულად უხსნარია $BaSO_4$ და $RaSO_4$. მყარ მდგომარეობაში გამოყოფილია მხოლოდ აქტ. ლითონების Na, K და სხვ. მჟაური ს.,რ-ებიც წყალში კარგად იხსნებიან. საშუალო ს-ს ღებულობენ ლითონების გოგირდმჟავაში გახსნით და სხვ. ზოგიერთი ლითონის (Fe, Cu და სხვ.) ს-ის კრისტალჰიდრატს *აჯასპები* ეწოდება, ორმაგ მარილს — *შაბი.* ფართოდ იყენებენ შემდეგ ს-ს: *ალუმინსულფატს, ამონიუმსულფატს, ბარიუმსულფატს, კალციუმსულფატს, ნატრიუმსულფატს* და სხვ.

სულფატები ბუნებრივი, გოგირდმჟავა მარილების მინერალთა კლასი. განარჩევენ: მარტივ უწყლო, მარტივ წყლიან, აგრეთვე წყლისა და დამატებითი ანიონების შემცველ მარტივ ან ორმაგ ს-ს. ამ უკანასკნელთა ზოგადი ქიმ. ფორმულაა $A_m[SO_4]_pZ_q \cdot xH_2O$ და $A_mB_n[SO_4)_pZ_q \cdot xH_2O$, სადაც A და B. კატიონებია, Z — დამატებითი ანიონები $[OH]^-$, Cl^-, $[CO_3]^{2-}$ და სხვ. ს-ის მინერალთა ძირითადი წარმომქმნელი კატიონებია: Fe^{2+}, Fe^{3+}, Na^+, K^+, Cu^{2+}, Mg^{2+}, Al^{3+}, Ca^{2+}, Pb^{2+}, Ba^{2+}. ს-ის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია $[SO_4]^{2-}$ ტეტრაედრი, რ-ის ცენტრში განლაგებულია გოგირდი. ტეტრაედრები ერთმანეთთან დაკავშირებულია კატიონებით. ბუნებრივი ს. უმეტესად კრისტალდება რომბულ, მონოკლინურ და ტრიკლინურ სინგონიებში. კრისტალები მეტწილად იზომეტრულია. ფერი განპირობებულია ქრომოფორული იონებით, მინერ. ჩანართებით და სტრუქტურული დეფექტებით. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2—3,5; სიმკვრივე 1490—6920 *კგ/მ*^{3}. მრავალი ს. კარგად იხსნება წყალში. ძირითადად წარმოიქმნება წყლის აუზებში დალექვით, სულფიდების დაჟანგვით ჰიპერგენეზის ზონაში, აგრეთვე ჰიდროთერმული ხსნარებიდან და ვულკანების სოლფატარული და ფუმაროლური მოქმედების პროდუქტებიდან. ზოგიერთი ბუნებრივი ს. წარმოადგენს მნიშვნელოვან სასარგებლო წიაღისეულს (იხ. *ალუნიტი, ანჰიდრიტი, ბარიტი, თაბაშირი, იაროზიტი, ცელესტინი*).

ლიტ.: Дир У. А., Хаун Р. А., Зусман Дж., Породообразующие минералы, т. 5, М., 1966.

სულფიდები, გოგირდწყალბადმჟავას მარილები. განასხვავებენ საშუალო (ნორმალური) და მჟავურ (ჰიდროსულფიდები) ს-ს. ტუტე ლითონთა ს. წყალში კარგად ხსნადი უფერული ნივთიერებებია; განზავებულ მჟავეებთან მოქმედებისას წარმოქმნიან H_2S. ტუტე მიწათა ლითონთა ს. წყალში მცირედ ხსნადი უფერული ნივთიერებებია. ორივე ტიპის ს. ადვილად იჟანგება სულფატამდე. მძიმე ლითონთა ს. წყალში უხსნარი, მოშავო ან მოშავო-მურა ფერის ნივთიერებებია. ს-ს ღებულობენ ელემენტთა უშუალო შეერთებისას. H_2S და მარილების წყალხსნართა ურთიერთქმედებისას და სხვ. მრავალი მათგანი დიდი პრაქტ. მნიშვნელობისაა.

სულფიდები ბუნებრივი, ლითონებისა და ზოგიერთი ნახევრად ლითონის გოგირდიანი ნაერთების მინერალთა კლასი. ცნობილია ს-ის 200-ზე მეტი მინერ. სახეობა, რ-ებიც დედამიწის ქერქის მასის 0,15%-ს შეადგენს. მინერალთა სახეობათა წარმომქმნელი ელემენტებია: Pb, Cu, Sb, As, Ag, Bi, Fe, Co, Ni, Zn, Cd, Mn, Sn, Mo, Hg და სხვ. იზომორფული მინარევებია: Ga, Ge, In, Tl, Se, Te და სხვ. ს-ში განარჩევენ: მონოსულფიდებს (H_2S-ის მარილები), პერსულფიდებს (H_2S_2-ის მარილები) და სულფომარილებს $[AsS_3]^{3-}$, $[SbS_3]^{3-}$ და სხვა ანიონების შემცველი. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 1—7 (ხშირად 2—4); სიმკვრივე 4000 *კგ/მ*^{3}-ზე მეტი. ს. ძირითადად ჰიდროთერმული გზით წარმოიქმნება; ცნობილია აგრეთვე მაგმური და ეგზოგენური წარმოშობის ს. დედამიწის ზედაპირზე ს. იჟანგება და გადადის სულფატებში, შემდეგ ჰიდროჟანგეულებში, კარბონატებსა და ჟანგბადოვან მჟავათა სხვა მარილებში, იშვიათად— თვითნაბადად ელემენტებში. ს. მნიშვნელოვანი მადნეული მინერალებია.

ლიტ.: Минералы. Справочник, т. 1, М., 1960.

სულფირება, ორგანულ ნაერთებში გოგირდმჟავას ან ოლეუმის მოქმედებით ნახშირბადის ატომთან წყალბადის ჩანაცვლება სულფოჯგუფით ($-SO_3H$). $C_6H_6 + H_2SO_4 \rightarrow C_6H_5SO_3H + H_2O$. ს. მნიშვნელოვანი სამრეწვ. პროცესია, რ-საც ფართოდ იყენებენ სულფომჟავათა, იონმიმოცვლითი ფისების და სხვ. წარმოებაში.

სულფიტაცია *კვების მრეწველობაში, ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება* გოგირდოვანი ანჰიდრიდით (SO_2), გოგირდოვანმჟავათი (H_2SO_3) ან ნატრიუმის ჰიდროსულფიტით ($NaHSO_3$). მჟავე არეში სულფიტები 0,1—0,2% კონცენტრაციისას (მასის მიხედვით) სპობენ იმ ობის სოკოებსა და საფუარს, რ-ებიც აზიანებენ ხილსა და ბოსტნეულს. პროდუქტს ამუშავებენ მშრალი (ხის ან ქვის კამერებში SO_2-ის შეხრჩოლებით) ან სველი (ხილსა და ბოსტნეულზე მჟავას ან ჰიდროსულფიტის სუსტ ხსნარს ასხამენ) ხერხით. ს-ს ზაფხულსა და შემოდგომაზე უტარებენ ზამთარში გადასამუშ. ნახევარფაბრიკატებს (პიურეს, წვენს, დაქუცმაცებულ ნაყოფს და სხვ.). სსრკ-ში დაუშვებელია სულფიტირებული პროდუქტებისაგან ბავშვებისა და დიეტური კვებისათვის განკუთვნილი პროდუქტების დამზადება.

სულფიტები, გოგირდოვანმჟავას მარილები. განასხვავებენ საშუალო (ნორმალური) და მჟავურ (ჰიდროსულფიტები) ს-ს. საშ. მარილები (ტუტე ლითონებისა და ამონიუმის ს-ის გამოკლებით) წყალში მცირედ იხსნებიან. მჟავური მარილებიდან თავისუფალი სახით გამოყოფილია მხოლოდ ტუტე ლითონთა ჰიდროსულფიტები. ს-თვის დამახასიათებელი რეაქციებია წყალხსნარებში ჟანგვა სულფატებამდე და აღდგენა ჰიპოსულფიტებამდე. ს-ს იყენებენ საფეიქრო მრეწველობაში ღებვისა და მოჩითვისას, ქაღალდის მრეწველობაში, ორგ. სინთეზში.

სულფოვარილები, იგივეა, რაც *თიომარილები.*

სულფოჟავები, RSO_3H (R — ალიფატური ან არომატული რიგის ნახშირწყალბადის რადიკალი), წყალში კარგად ხსნადი, ჰიგროსკოპული კრისტალური ნივთიერებები. არომატულ ს-ს ღებულობენ არომატული ნახშირწყალბადებისა და მათი ნაწარმების სულფირებით; ხოლო ალიფატურ ს-ს ჰალოგენალკილებში ჰალოგენის სულფოჯგუფით (SO_3H) ჩანაცვლების შედეგად. ს-ზე PCl_5-ის მოქმედებით მიიღება RSO_2Cl, ს-ის აღდგენით კი სულფინმჟავა და მერკაპტანი RSH .არომატული ს. ძირითადი ორგ. სინთეზის მნიშვნელოვანი ნახევარპროდუქტია. იყენებენ აზოსაღებრების, სამკურნ. ნივთიერებების, იონმიმოცვლითი ფისებისა და სხვ. წარმოებაში. ალიფატური ს-ის ტუტე ლითონთა მარილებს (ზედაპირულად აქტ. ნივთიერებებს) იყენებენ სარეცხი საშუალებების კომპონენტად.

არაორგ. ქიმიაში ტერმ. „ს." ზოგჯერ იხმარება თიომჟავეების მაგივრად.

სულფონები, გოგირდორგანული ნაერთები. უფერული ნივთიერება. უმეტეს შემთხვევაში კრისტალები. ალიფატურ ს-ს ღებულობენ ორგ. სულფიდების ჟანგვით, არომატულ ს-ს გარდა ამისა *ფრიდელ — კრაფტსის რეაქციითაც.* ს-ს იყენებენ სამკურნალო საშუალებების წარმოებაში და სხვ.

სულფოჟანგები, გოგირდორგანული ნაერთები; უფერული ბლანტი სითხეები ან კრისტალური ნივთიერებები. ს. იხსნება სპირტსა და ეთერში. ღებულობენ ორგ. სულფიდების (თიოეთერები) ჟანგვით.

სულფურილის ჰალოგენიდები, გოგირდის ოქსიჰალოგენიდები. ფთოროვანი სულფურილი, SO_2F_2, უფერული აირია; $t_{დნ}$ — 136°C, $t_{დუღ}$ — 55°C, წყალში მცირედ იხსნება, ნაკლებად აქტიურია. ქლოროვანი სულფურილი, SO_2Cl_2, მკვეთრი სუნის მქონე უფერული სითხეა, $t_{დუღ}$ 69,2°C, $t_{დნ}$ — 54°C. იყენებენ ორგ. სინთეზში.

სულფიდრილური ჯგუფები, თიოლური ჯგუფები, ორგანული ნაერთების SH – ჯგუფები. აქვთ მაღალი და მრავალმხრივი რეაქციის უნარი: ადვილად იჟანგებიან და წარმოქმნიან დისულფიდებს, სულფინურ- ან სულფომჟავებს. ს. ჯ. მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბიოქიმ. პროცესებში. ა კოფერმენტის, ლიპოის მჟავასა და 4'-ფოსფოპანთეთეინის ს. ჯ. მონაწილეობენ აცილური ჯგუფების წარმოქმნასა და გადატანაში, რ-ებიც დაკავშირებულია ლიპიდების და ნახშირწყლების მეტაბოლიზმთან. გლუტათიონის ს. ჯ. მონაწილეობენ უცხო ორგ. ნაერთთა გაუვნებლობაში, ზეჟანგების აღდგენაში და ახდენენ მისი კოფერმენტული ფუნქციის რეალიზაციას. ცილებში ს. ჯ. ეკუთვნის ამინომჟავა ცისტეინს. რიგი ფერმენტის აქტ. ცენტრში ს. ჯ. მონაწილეობენ სუბსტრატის, კოფერმენტისა და ლითონთა იონების შებოჭვაში. ფერმენტების ს. ჯ-ის კატალიზური როლი მდგომარეობს შუალედი ნაერთების წარმოქმნაში სუბსტრატებთან და მათ ნაშთებთან ან ელექტრონებისა და პროტონების გადატანაში სუბსტრატებიდან აქცეპტორებზე. ს. ჯ-ის ბლოკირება სპეციფ. რეაგენტებით იწვევს მრავალი ფერმენტის მოქმედების ნაწილობრივ ან სრულ შეფერხებას. ცილის სტრუქტურის სტაბილიზაციაში, მ. შ. ფერმენტებშიც, ანტისხეულებსა და ზოგიერთ პორმონში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დისულფიდური ბმები (-S-S-), რ-ებიც მიიღება ს ჯ-ის დაჟანგვისას ცილის ბიოსინთეზის პროცესში.

ნ. ნუცუბიძე.

სულხანიშვილი ალექსანდრე (1808, თბილისი, — გ. წ. უცნობია), ქართველი მთარგმნელი, კალიგრაფი. 1825 გადაუწერია ს.-ს. ორბელიანის „სამოთხის კარი". ფლობდა რუს., სპარს. და თურქ. ენებს. 1828 სპარსულიდან პროზაულად თარგმნა XV ს. პოეტის ფანაჰის პოემა „ბახთიარნამე". შესავალში მოცემულია ავტობიოგრ. ცნობები და ძეგლის თარგმნის ისტორია. XIX ს. 40-იან წლებში ს. პეტერბურგში იყო. 1839 გამოაქვეყნა ქართ.-ფრანგ.-რუს. ლექსიკონი.

ლიტ.: გვახარია ა., სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები„ I — ბახთიარ-ნამე, თბ., 1968; რუხაძე ტ., ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, თბ., 1939.

ა. გვახარია.

სულხანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) პაატას ძე (1871, სოფ. აწყური, ახმეტის რ-ნი, — 3. XII. 1919, თბილისი), ქართველი კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი. 1878 შევიდა თელავის სას. სემინარიაში (გალობას ასწავლიდნენ დ. ელიოზაშვილი და ზ. ჩხიკვაძე). 1884-იდან სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში. პირველი საკომპოზიტორო ცდები თარიღდება 1886. მოგვიანებით სიმღერას სწავლობდა ცნობილ პედაგოგ დ. უსატოვთან. 1890—1900 მუშაობდა თელავის სას. სემინარიაში სიმღერის მასწავლებლად, იქვე შეუდგენია ქართ. გალობის მოყვარულთა გუნდი. ამ პერიოდში შექმნა ცნობილი სიმღერა „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“ დ. მაჩხანელის ტექსტზე (სიმღერის ნაწილი ი. ჭავჭავაძის ლექსის „გახსოვს ტურფავ“ ტექსტზე სრულდება). 1900—12 ს. კვლავ თბილისშია, 1902 თეორ. დისციპლინებში მეცადინეობდა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში; ამავე დროს, კერძო გაკვეთილებს იღებდა კომპოზიციაში გ. ნატრაძესთან. 1912—14 იმოგზაურა კახეთში და ჩაიწერა ხალხ. სიმღერები. 1918 ხელმძღვანელობდა ფასიან გუნდს, 1919 — ფილარმონიულ საზ-ბასთან არსებულ კაპელას.

ს-მა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართ. საგუნდო მუსიკას და ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები შექმნა. ზ. ფალიაშვილთან ერთად მან გზა გაუკაფა ქართ. საბჭ. საგუნდო ხელოვნ. განვითარებას.

1892 მუშაობდა ოპერა „პატარა კახზე“ (ა. წერეთლის მიხედვით, შემორჩენილია 2 ნაწყვეტი — მწყემსის არია „დაიგვიანეს“ და პატარა კახის არია „ძლივს მარტო დავრჩი“).

ს-ის ყველა გუნდი თანხლების გარეშე (ა კაპელა) სრულდება, ძირითადად ოთხმიანია და შერეული. ახასიათებს დიალოგური ხერხის გამოყენება — გუნდისა და სოლისტის დაპირისპირება ან შეზავება, ცალკეული სოლო ეპიზოდების გატარება გუნდის ფონზე. ს-ის საუკეთესო გუნდებია: „გუთნური“ (ი. ჭავჭავაძის ლექსზე „გუთნის დედა“), „სამშობლო ხევსურისა“ (რ. ერისთავის ლექსზე), „მესტვირული“ (ა. წერეთლის ლექსზე „ჩონგურს სიმები გაეუბი“), „მაშ გამარჯვება“ (ს. ფაშალიშვილის ლექსზე) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ს-მა ქართ. მუსიკაში პირველმა მიმართა რუსთაველის პოეზიას: საგუნდო „ღმერთო, ღმერთო“ (დაწერილი ავთანდილის ლოცვის ტექსტზე) და რომანსი „მო, ზუალო“.

ლ. კაკულია.

სულხანიშვილი სულხან იოსების ძე (დ. 25. III. 1925, სამტრედია), ქართველი საბჭ. კერამიკოსი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1965), სკკპ წევრი 1956-იდან. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1949), აქვე ეწევა მოღვაწეობას (1959-იდან კერამიკის ექსპერ. სახელოსნოს ხელმძღვ., 1963-იდან პედაგოგი). ს-ის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია კონტრასტულობა, სისადავე, ლაკონიზმი. ხალხ. კერამიკის ტრადიციებზე დაყრდნობით ქმნის გამომსახველ ფორმას. ნამუშევრები: „ოქროს თევზი“ (1954, ფაიანსი), „მერანი“ (1955, ჭიქური, თიხა), „ჯიხვი“ (1963, შებოლილი ჭიქური; თიხა), „მარანი“ (1974), დეკორ. თეფშები, (1983, ჭიქური, ყველა — საქართვ. სურათების გალერეა, თბილისი) და სხვ.

სულხან-საბას მწვერვალი, მწვერვალი სურ.ნეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ზესხოს (ცხენისწყლის ერთ-ერთი შემდგენელი) სათავეში. სიმაღლე 3500 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. დამახასიათებელია ნიველური ლანდშაფტი. 1938 მწვერვალზე ავიდა ქართვ. ალპინისტთა ჯგუფი ალექსანდრე ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და ეს სახელი დაარქვა სულხან-საბა ორბელიანის პატივსაცემად.

მ. უთმელიძე.

სუმაროკოვი ალექსანდრე პეტრეს ძე [14 (25). XI. 1717, პეტერბურგი, — 1 (12). X. 1777, მოსკოვი], რუსი მწერალი. პოპულარობა მოუპოვა სატრფიალო სიმღერებმა, რ-ებსაც პოეზიაში სამოქალაქო თემატიკის მომხრე მ. ლომონოსოვი უარყოფითად შეხვდა. ამის საპასუხოდ „ოდის კრიტიკაში“ და „ეპისტოლეში ლექსთა თხზვაზე“ (1747) ს-მა კლასიციზმის ძირითადი ჟანრების პოეტიკის პრინციპები ჩამოაყალიბა. ს-ის პიესები დაედო საფუძვლად პირველი რუს. პროფ. თეატრის ჩამოყალიბებას, რ-ის დირექტორიც თვითონ იყო 1756—61. 1759 გამოსცა პირველი რუს. ლიტ. ჟურნ. „ტრუდოლიუბივაია პჩელა“. 70-იან წლებში დაწერა თავისი საუკეთესო კომედიები და ტრაგედიები („ცრუდიმიტრი“, 1771; „მსტისლავი“, 1774 და სხვ.). ს-მა ხელი შეუწყო კლასიციზმის დამკვიდრებას რუს. ლიტ-რაში.

თხზ.: Полн. собр. всех соч. в стихах и прозе, 2 изд., ч. 1—10, М., 1787; Избр. произведения, Л., 1957.

სუმატრა (Sumatra), კუნძული მალაის არქიპელაგის დას. ნაწილში, დიდი ზონდის კ-თა ჯგუფში. ინდონეზიის ტერიტორია. ფართ. დაახლ. 435 ათ. *კმ*². სანაპირო ხაზი სუსტად არის დანაწევრებული. ს-ის სანაპიროს გასწვრივ მარჯნის რიფებია, მის მახლობლად — პატარა კ-ები. ს-ის დას. ნაწილი მთიანია; ბევრია ვულკანი (მ. შ. მოქმედი), გეხვდება ტალახის ვულკანებიც, კარსტული ზეგნები. აღმ. ნაწილი დაჭაობებული ვაკეა. მდიდარია ნავთობით, ბუნებრივი აირით. ჰავა ნოტიო ეკვატორულია. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა ვაკეზე 25—27°C. ნალექები 1500—3000 *მმ* წელიწადში, მთაში 4000 *მმ*-ზე მეტი. ბევრია წყალუხვი მდინარე. დიდი ტბაა ტობა. ს-ის 2/3 ტყეს უჭირავს. ქვაბულებში სავანაა. ს-ის ფლორა და ფაუნა დაცულია 7 ეროვნ. პარკში. მოჰყავთ ბრინჯი, არის ქოქოსის პალმისა და ყავის პლანტაციები. თევზჭერა. დიდი ქ-ებია: მედანი, პალემბანგი, ბადანგი. II—V სს-ში ს-ზე შეიქმნა ინდონეზიაში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოები — შრივიჯაია, მალაიუ და სხვ. VII ს-ში შრივიჯაიამ დაიმორჩილა თითქმის მთელი კუნძული. XIII ს. დასასრ. — XVI ს. დასაწყისში ს-ის სახელმწიფოები *მაჯაპაჰიტის* იმპერიის ვასალები იყვნენ. XVII ს.—XX ს. დასაწყისში ს-ს ჰოლანდ. კოლონიზატორები დაეპატრონენ. ინდონეზ. რესპ. შექმნის (1945 წ. 17 აგვ.) შემდეგ ს. ინდონეზ. ნაწილი გახდა. 1949 ს. შევიდა ინდონეზ. შეერთებული შტატების შემადგენლობაში, რ-იც 1950 ინდონეზ. უნიტარულ რესპუბლიკად გარდაიქმნა.

ს-ის მხატვრულმა კულტურამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინდონეზ. კულტ. განვითარებაში, გეხვდება რამდენიმე სახის ხალხ. საცხოვრებელი: მძლავრ ბოძებზე შემდგარი, მაღალი ორქანობიანი უნაგირისებრი სახურავით გადახურული (ტობა-ბატაკებისა), ოთხქანობიანი სახურავით გადახურული (კარო-ბატაკებისა), რამდენიმე უნაგირისებრი სახურავით გადახურული (მინანგკაბაუ). შემონახულია მცირე ზომის რამდენიმე ბუდისტური ტაძარი („ბიარო“, XI—XIV სს.). დეკორ. გამოყენებითი ხელოვნ. ტრად. სახეობათაგან გავრცელებულია წვნა, ფეიქრობა, საიუველირო საქმე.

სუმაცია (გვიანდ. ლათ. summatio — შეკრება) ფიზიოლოგიაში, ხანმოკლე ინტერვალებით ერთმანეთის მომდევნო (ს. დროში) ან ერთდროულად (სივრცობრივი ს.) მოქმედი სტიმულების ეფექტების შერწყმა, რაც რეცეპტორებში, ნერვულ უჯრედებსა ან კუნთებში აღმოცენდება. 1868 ი. *სეჩენოვმა* შენიშნა, რომ პერიფერიული რეცეპტორების ან აფერენტული ნერვების ორი ან რამდენიმე გაღიზიანების შეულება იწვევს რეფლექსს, მაშინ როცა ეს გამღიზიანებლები ცალ-ცალკე არ არის საკმარისი რეფლექსური რეაქციის გამოსაწვევად. ნერვულ ცენტრებში აგზნებათა ს-ის მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: ნეირონში მოქმედების პოტენციალის აღმოცენებისათვის აუცილებელია პოსტსინაფსური მემბრანის დეპოლარიზაციის გარკვეული კრიტ. დონე. მემბრანის კრიტ. დეპოლარიზაცია კი შესაძლებელია ან უჯრედზე განლაგებული მრავალი სინაფსის ერთდროული აგზნებით, ან სინაფსთან ხანმოკლე ინტერვალებით ერთმანეთის მომდევნო ნერვული იმპულსების სერიის მისვლით. პირველ შემთხვევაში ერთმანეთის მახლობლად მდებარე სინაფსების აგზნებისას პოსტსინაფსური პოტენციალების ს. ხდება სივრცეში, ხოლო სინაფსების თანამიმდევრული აგზნებისას — დროში.

გ. მაჭავარიანი.

სუმბა (Sumba), კუნძული მცირე ზონდის კუნძულთა ჯგუფში; ინდონეზ. ტერიტორია. ფართ. 11,2 ათ. *კმ*². ს-ის ჩრდ. ნაწილი ალუვიური ვაკეა, სამხრ. და ცენტრ. ნაწილი — დაბალმთიანეთი. ჰავა სუბეკვატორული მუსონურია. ნალექები 1500—2500 *მმ*-მდე წელიწადში. იცის გვალვა. გაბატონებულია მეორეული მეჩხერი ტყე და სავანა. ამზადებენ კოპრს, მოჰყავთ ყავა, თამბაქო, სოია, არაქისი. დიდი ქალაქია ვაინგაპუ.



ს. სულხანიშვილი. „ზოომორფული ბურძგლი“. 1965. შებოლილი თიხა. საქართველოს სურათების გალერეა. თბილისი.

სუმბავა (Sumbawa), კუნძული მცირე ზონდის კუნძულთა ჯგუფში; ინდონეზ. ტერიტორია. ფართ. დაახლ. 13,3 ათ. *კმ*² (მიმდებარე წვრილ კ-ებიანად დაახლ. 15,5 ათ. *კმ*²). რელიეფი მთაგორიანია. ჰავა სუბეკვატორული მუსონურია. ნალექები დაახლ. 1200 *მმ* წელიწადში. გაბატონებულია მეორეული ბუჩქნარი და სავანა. ბრინჯის, სოიის, არაქისის, სიმინდის ნათესები, ყავისა და თამბაქოს პლანტაციები. მეცხოველეობა. მთავარი ქალაქია რაბა.



ა. სუმაროკოვი.

სუმბათაშვილი იოსებ გიორგის ძე (დ. 10. XI. 1915, თბილისი), საბჭ. სცენოგრაფი. რსფსრ სახ. მხატვარი (1968), დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1942). იყო დ. კაკაბაძისა და ვ. სიდამონ-ერისთავის მოწაფე. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1946—48, 1954—56). მუშაობდა მთავარ მხატვრად თბილ. ოპერისა და ბალეტის (1944—47), მარჯანიშვილის სახ. (1948—62), მოსკ. საბჭ. არმიის ცენტრ. (1962—72), ვახტანგოვის სახ. (1972-იდან) თეატრებში. გააფორმა სპექტაკლები: ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“ (მარჯანიშვილის სახ. თეატრი, 1951, სახელმწ. პრემია, 1952), ა. არბუზოვის „ირკუტსკული ამბავი“ (ვახტანგოვის სახ. თეატრი, 1959), ა. ტოლსტოის „ივანე მრისხანის სიკვდილი“ (საბჭ. არმიის ცენტრ. თეატრი, 1964), ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ (საარბრიუკენის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1972), გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“ (სსრკ დიდი თეატრი, 1972), ბოკარიოვის „მეფოლადეები“ (მოსკ. სამხატვრო თეატრი, სსრკ სახელმწ. პრემია, 1974) და სხვ. ს-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფერწერული სიმდიდრე, მონუმ. მასშტაბები. მხატვრული („ქეთო და კოტე“, 1948, „მაგდანას ლურჯა“, 1955) და მულტიპლიკაციური ფილმების მხატვარი-ცაა. დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ ორდენითა და მედლებით.



ი. სუმბათაშვილი.

სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე [4 (16). IX. 1857, სოფ. კუკუევკა, ახლანდ. ტულის ოლქი, — 17.



ა. სუმბათაშვილი-იუჟინი.



ა. სუმბათაშვილი-იუჟინი ოლივერ კრომველის როლში (ა. ლუნაჩარსკის „ოლიერ კრომველი").



ლ. სუმბაძე.

IX. 1927, ჟიან-დე-პენი, ნიცის მახლობლად; დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე]. რუსი საბჭ. დრამატურგი, მსახიობი. წარმოშობით ქართველი. რსფსრ სახ. არტისტი (1922). 1863—77 საქართველოში ცხოვრობდა. დაამთავრა თბილ. ვაჟთა I გიმნაზია. 1877—81 სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. მისი პირველი პიესებია „ცხოვრების უფლებები" (1877, დაკარგულია), „მეხამრიდი" (1879; 1885 ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად გადააკეთა პიესად „შავარდნები და ყორნები"). ავტორია ოცამდე პიესისა, რ-თა ძირითადი ნაწილი სოც. პრობლემატიკას ეძღვნება („საუკუნის ქალიშვილი", 1880; „ფოთლები შრიალებენ", 1881; „სახელგანთქმული კაცის მეულლე", 1884; „ჯაჭვები", 1888; „მზის ჩასვლა", 1889 და სხვ.). ს.-ი-ის პიესკაში რომანტ. პათოსი ერწყმის ჭეშმარიტ რეალიზმს. ს.-ი-მა მძაფრად გააკრიტიკა თავადაზნაურული და ბურჟ. საზ. მანკიერებანი („ჯენტლმენი", 1897; „ირინეს თემი", 1901; „ბადე", 1903; „ბელადები", 1907). ავტორია ისტ. დრამებისა („მეფე იოანე IV", 1884; „ძველი წრთობა", 1895 და სხვ.). მისი ესთეტ. შეხედულებანი განსაკუთრებით გამოვლინდა პიესაში „რაფაელი" (1927).

საქართველოს უძღვნა ს.-ი-მა ისტ. დრამა „ღალატი" (1903), რ-იც ერთგვარი ნოსტალგიაა ჩვენს გმირულ წარსულზე. მისი პიესები ქართ. ენაზე ითარგმნებოდა 1889-იდან (მთარგმნელები ა. წერეთელი, ვ. გუნია, კ. მესხი, ნ. ავალიშვილი). პროფ. სცენაზე პირველად გამოვიდა 1876 თბილისში სოლცევის ფსევდონიმით. 1878—79 გამოდიოდა პეტერბ. თეატრებში, არაერთხელ ყოფილა გასტროლებზე საქართველოში მცირე თეატრის დასთან ერთად. 1882-იდან გარდაცვალებამდე ხოლვაწევრობდა მოსკ. მცირე თეატრში; 1909-იდან იყო დასის მმართველი, 1918 — სამხატვრო საბჭოს თავ-რე, 1919 — დირექციის თავ-რე, 1923-იდან — დირექტორი, 1926-იდან — საპატიო დირექტორი. ს.-ი. მგზნებარე ტემპერამენტის, ფართო დიაპაზონის, ტრაგიკული პლანის რომანტიკოსი მსახიობი იყო. ასრულებდა აგრეთვე სახასიათო, კომედიურ როლებსაც. მისი სცენური გმირები თავისუფლების მოყვარე, ბუნტარული სულისკვეთებით გამსჭვალული, ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები იყვნენ. როლებიდან აღსანიშნავია: დიუნუა, მარკიზი პოზა, მორტიმერი (შილერის „ორლეანელი ქალწული", „დონ კარლოსი", „მარიამ სტიუარტი"); დონ კარლოსი, რუი ბლაზი (ჰიუგოს „ერნანი", „რუი ბლაზი"); იაგო, ოტელო, რიჩარდ III, ჰამლეტი (შექსპირის „ოტელო", „რიჩარდ III", „ჰამლეტი") ურიელი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), ეგმონტი (გოეთეს „ეგმონტი",), ლორდი კაკერშამი (უაილდის „იდეალური ქმარი"), ფიგარო (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება"), ჩაცკი, ფამუსოვი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), ტელიატევი (ოსტროვსკის „ცოფიანი ფულები") და სხვ. 1923 მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში".

თხზ.: Пьесы, М., 1961.

ლიტ.: ჩხეიძე შვილი დ., ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი, თბ., 1976.

კ. ნინიკაშვილი. მ. ლაღიძე.

სუმბატ I (გ. 958), ქართველთა მეფის ადარნასეს ძე. გიორგი მერჩულეს მოხსენიებული ჰყავს ერისავთა ერისთავად, თავისი ძმის აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (954) მიიღო კურაპალატობა.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ა. პოგევერაძე.

სუმბატ დავითის ძე (ბაგრატიონი), XI ს. პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი. ავტორია ისტორიული ქრონიკისა „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა ჩუენ ქართველთა შეფეთასა, თუ სადათ მოიწიენეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა". ბიოგრ. ცნობები ს. დ-ის შესახებ არ მოგვეპოვება. როგორც ე. თაყაიშვილმა გაარკვია, ის უნდა იყოს ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი. ს. დ.-ის ნაშრომი ადამიდან იწყება და მთავრდება 1030/31 ამბებით. ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა ბაგრატიონთა წარმომავლობა, მათი საქართველოში მოსვლა, გამეფება და მეფეთა ისტორია. ნაშრომის დასაწყისი ნაწილი ემყარება ბიბლიას. ს. დ.-ს ბაგრატიონები ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის შთამომავლებად გამოყავს. მისი აზრით, ისინი პალესტინიდან საქართველოში VI ს-ში მოვიდნენ და ერთი მათგანი გუარამი — ქართლის ერისმთავარი გახდა. ნაშრომის ის ნაწილი, რ-შიც მოთხრობილია ამბები ამ გუარამიდან აშოტ I-მდე, ემყარება „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობებს. აშოტ I-იდან ბაგრატ III-მდე პერიოდის შესახებ ს. დ.-ს ხელთ ჰქონია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეები. ეს ნაწილი შეიცავს უხვ და სარწმუნო ქრონოლოგიურ ცნობებს. ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლებიდან ს. დ. აღწერს თავის თანადროულ მოვლენებს. ს. დ. ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების მომხრეა. მისი ქრონიკა ძვირფასი ისტ. წყაროა განსაკუთრებით VIII—XI სს. I ნახ. საქართველოს ისტორიისათვის.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოც. მე-3, თბ., 1949 (აქვეა ს. დ.-ძის ნაშრომის პუბლიკაცია); ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977. *ვ. გუჩუა.*

სუმბაძე ლონგინოზ ზაქარიას ძე (დ. 27. IV. 1908, სოფ. ვარდისუბანი, თელავის რ-ნი, — 15. X. 1984, თბილისი), ქართველი საბჭ. არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე, საქ. სსრ დამს. არქიტექტორი (1969). დაამთავრა საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტი (1932). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1932-იდან), პროფესორია (1972). ნაშრომების: საცხოვრ. სახლები თბილისში (1950—58); გორში ხიდი მდ. მტკვარზე (1952); ბამბეულის კომბინატის მუშათა დასახლება (1950-იანი წწ.); საცხოვრ. სახლები სტალინის გამზირზე (1952); კულტურის სახლი (1975); დაგეგმარების გენ. პროექტები: ბათუმის (1935), გორის (1938, 1949; ორივე ბ. ლორთქიფანიძესთან ერთად), რუსთავის (1968, ავტორთა ჯგუფთან ერთად), ქართ. ხალხ. ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, განაშენიანების პროექტი (1970) და სხვ. *ს. კინწურაშვილი.*

სუმბული (Hyacinthus), მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარის გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. ცნობილია ერთი სახეობა — აღმოსავლური ს. (H. orientalis), რ-იც ველურად იზრდება ხმელთაშუა ზღვის აღმ. ქვეყნებში. ს-ის ჯიშებს სხვადასხვა სიმკვრივის, ფერის, ზომისა და ფორმის ყვავილები აქვს. მოჰყავთ კარგად განათებულ, მსუბუქ თიხნარ და ნოყიერ ნიადაგზე. მრავლდება ბოლქვით, იშვიათად — თესლით. ს-ის ყვავილისაგან მიღებულ ზეთს პარფიუმერიაში ხმარობენ. ს. საუკეთესო საორანჟერეო და სათაიგულე მცენარეა. იყენებენ რაბატებში, კლუბებსა და გაზონებში ყვავილწნულებად. *ლ. ასიეშვილი.*

სუმგაითი, ქალაქი აზერბ. სსრ-ში, აფშერონის ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. სანაპიროზე, ბაქოდან 35 *კმ*. რკინიგზის სადგური. 214 ათ. მცხ. (1983). განვითარებულია ქიმ. და მეტალ. მრეწველობა. არის საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები, კომპრესორების ქ-ნა, ზედა ტრიკოტაჟის ფ-კა. თეატრი.

ქალაქის თანამედროვე სახის ჩამოყალიბება დაიწყო 1949-იდან (არქიტ. მ. უსეინოვი, მ. დათიევი, ო. ისაევი და სხვ.). სამრეწვ. რ-ნები გამოყოფილია საცხოვრ. რ-ნებისაგან. სწორი ქუჩები განაშენიანებულია ძირითადად ნ-სართულიანი (ზღვასთან ახლოს 9—12-სართულიანი) შენობებით. მნიშვნელოვან ნაგებობათაგან აღსანიშნავია კულტ. სასახლე (1958, არქიტ. მ. ალიევი) და სხვ. ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, ქვა, 1956, მოქანდაკეები თ. მამედოვი, ო. ელდაროვი, არქიტ. ო. ისაევი, ი. ტოლსტენოგოვი). ს-ში არის ნავთობისა და ქიმ. აზერბ. ინ-ტის ფილიალი, ქიმ.-ტექნოლ. და პოლიტექ. ტექნიკუმები, სამედ. და სამუსიკო სასწავლებლები. ქალაქის ისტ. მუზეუმი, სახ. თეატრი.

სუმი, ქალაქი, უკრ. სსრ სუმის ოლქის ცენტრი, მდ. ფსიოლის და მისი შენაკადების ნაპირებზე. რკინიგზის სადგური ხარკოვ—ვოროჟბის ხაზზე. აეროპორტი. 248 ათ. მცხ. (1983).

დაარსდა 1652 წ. 1658—1765 სუმის დაბის პოლკის ცენტრი იყო, 1796-იდან — სლობოდა-უკრაინის, 1835-იდან — ხარკოვის გუბ. სამაზრო ცენტრი. 1902 შეიქმნა „ისკრის" მიმართულების ს.-დ. ორგანიზაცია. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 დეკ-ში, საბოლოოდ გაიმარჯვა — 1919 ნოემბ-ში. 1941 წ. 10 ოქტ-იდან 1943 წ. 2 სექტ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

ს-ში განვითარებულია მანქანათსაშ., კვების და მსუბუქი მრეწველობა. მთავარი საწარმოებია: ფრუნზეს სახ. მანქანათსაშ. ქ-ნა, ტუმბოების, საკავშ. ალკა 50-წლისთავის სახ. ელექტრონული მიკროსკოპების, მძიმე კომპრესორთსაშენი, თუჯასასხმელი ქ-ნები, აგრეთვე შაქრის, ლიქიორ-არაყის, რძის ქ-ნები, ხორცკომბინატი, მაუდის, სამკერვალო, ფეხსაცმლის ფ-კები. სუმის საწარმოო გაერთიანება „ხიმპრომი", სამშენებლო ინდუსტრიის კომბინატი, ავეჯის წარმოება. ს-ში არის პედ. ინ-ტი, ხარკოვის პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, 6 ტექნიკუმი, 3 სპეც. სასწავლებელი. სამხატვრო და ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმები. მ. შჩეპკინის სახ. მუს.-დრამ. თეატრი, ფილარმონია.

სუმის ოლქი, შედის უკრ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1939 წ. 10 იანვ. ფართ. 23,8 ათ. *კმ*². მოსახლ.· 1444 ათ. კაცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 56%. ცენტრი — ქ. სუმი.

ოლქი მდებარეობს უკრ. ჩრდ.-აღმ. ნაწილში. მისი ტერიტ. უმეტესი ნაწილი დნეპრისპირა დაბლობის ფარგლებშია, ჩრდ-ით პოლესიეში გადადის, აღმ. და ჩრდ.-აღმ-ით — შუა რუსეთის მაღლობში. მაქს. სიმაღლე 226 *მ*. მდ-ები დნეპრის აუზს განეკუთვნება. ყველაზე მნიშვნელოვანია დესნა სეიმით, სულა, ფსიოლი და ვორსკლა. ხეობებში ნამდინარევი ტბები და ჭაობებია, ბევრია ხელოვნური ტბორი.

ს. ო-ში განვითარებულია კვების (შაქრის, ხორცის და ხორცსაკონსერვო, ფქვილ-ბურღულის, სპირტის, ლიქიორ-არაყის, კარაქის, ყველის, რძის), მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ., მსუბუქი (სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ბეწვეულის), ქიმ. და ნავთობმოპოვების, სამშენ მასალათა მრეწველობა.

მოჰყავთ მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, კანაფი, კარტოფილი, ბოსტნეული. განვითარებულია მეხილეობა და სახორც-სარძეო მეცხოველეობა. მისდევენ მეფრინველეობას, სატბორე მეთევზეობას და მეფუტკრეობას.

ს. ო. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

სუნა (არაბ.—ჩვეულება, გადმოცემა, კანონი), მუსლ. წმინდა თქმულება, რ-შიც გადმოცემულია *მაჰმადის* ქცევა და გამონათქვამები (იხ. *ჰადისი*). ეს მოთხრობები (ნამდვილი და მოგონილი), განმარტავენ და ავსებენ *ყურანს*. ს. შეიქმნა VII—IX სს-ში. ს-ის ძირითად შინაარსს მუსლ. სამართლის საკითხები შეადგენს.

სუნაში, სპირტიანი (ან სპირტიან-წყლიანი) სურნელოვანი ნივთიერებებისა და პარფიუმერული კომპოზიციების ნარევი; იყენებენ როგორც არომატულ საშუალებას. პარფიუმერიულ კომპოზიციებს ამზადებენ მრავალი სახის ბუნებრივი და სინთეზური სურნელოვანი ნივთიერებებისაგან, რ-თაც მცენარეული, ცხოველური და ქიმ. ნედლეულისაგან ღებულობენ. მცენარეული წარმოშობის ნივთიერებებს — *ეთერზეთებს* (ვარდის, ქანდალოზის, ჭინჭრისა და სხვ.) იყენებენ ნედლეულად სურნელოვანი ნივთიერების მისაღებად. ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებს (ამბარი, მუშკი) ხმარობენ მხოლოდ ნაყენის სახით. პარფიუმერიული კომპოზიციების შედგენილობაში შედის რამდენიმე ათეული და მეტი სხვადასხვა სურნელოვანი ნივთიერება. კრისტალურ სურნელოვან ნივთიერებებს წინასწარ ხსნიან რომელიმე ძნელად აქროლად თხევად კომპონენტში. ნივთიერების ექსტრაქციის პროცესი გრძელდება რამდენიმე საათიდან ერთ წლამდე (პროცესის ხანგრძლივობას განსაზღვრავენ ნედლეულის სახეობის მიხედვით). ს-ს ამზადებენ ჰერმეტულად დახურულ აპარატებში ან ცისტერნებში მექან. სარევებისა და ტუმბოების გამოყენებით. დამზადებულ ს-ს ასხამენ ფლაკონებში ჟაკუუმჩამომსხმელ მანქანებზე. ყველა ოპერაცია (ფლაკონების თავის დაცობა, ეტიკეტის მიკვრა, ჰერმეტულობის შემოწმება, შეფუთვა) სრულდება ავტომატურად ან კონვეიერზე სპეც. სამარჯვეების დახმარებით. ს-ს სუნი შენარჩუნებული უნდა იყოს დაახლ. 30 *სთ* განმავლობაში.

სუნდები (საკ. სახელწ. ს უ ნ დ ა), კ. იავის დას. მთიან ნაწილში მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 19 მლნ. კაცი (1978, შეფასება). ანთროპოლოგიურად სამხრ. მონღოლოიდებს განეკუთვნებიან, ენითა და მატერ. კულტურით ახლოს არიან იაველებთან. რელიგია — ისლამი, ინარჩუნებენ ტრად. რწმენებსაც. I ათასწლ. შუა ხანებიდან განვითარებული ჰქონდათ მიწათმოქმედება. XX ს-ში გავრცელდა საპლანტაციო კულტურები (ჩაი, ყავა, კაკაო, კაუჩუკი). მისდევენ აგრეთვე მეცხოველეობასა და ხელოსნობას.

სუნდუკიანი გაბრიელ მკრტიჩის ძე [29. VI (11. VII). 1825, თბილისი, — 16 (29). III. 1912, იქვე], სომეხი მწერალი, დრამატურგი. კრიტ. რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი სომხ. ლიტ-რაში. დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 1838—46 თბილ. სხვადასხვა პანსიონსა და გიმნაზიაში სწავლობდა. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილ. ფაკ-ტი (1850). სამსახური დაიწყო თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, შემდეგ მუშაობდა კავკ. გზათა სამმართველოს სამეურნეო განყ-ბის უფროსად და სამოქალაქო გენერლის ჩინს მიაღწია. ს. მხარში ამოუდგა თბილ. ამქრებს სოც. უფლებებისათვის ბრძოლაში (1865), მონაწილეობდა ქალაქის საბჭოს მუშაობაშიც. ლიტ. საქმიანობა 60-იან წლებში დაიწყო. მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სომხ. თეატრთან, რ-ის ერთ-ერთი ორგანიზატორიც თვითონ იყო. ს-ის პირველი კომედია „საღამოს ცხვირი ხეირია“ დაიდგა 1863 (გამოიცა 1866, ქართ. თარგმანი 1911), „ხათაბალა“ — 1866 (გამოიცა 1881), „ოსკან პეტროვიჩი საიქიოში“ — 1866 (გამოიცა 1899, ქართ. თარგმანი 1901, კრებ. „ცხოვრების სარკე“), „კიდევ ერთი მსხვერპლი“ — 1870 (გამოიცა 1894), „პეპო“ — 1871, ქართ. სცენაზე — 1875 (გამოიცა 1876, ქართ. თარგმანი 1876, გაზ. „დროება“ №№ 2, ცალკე წიგნად 1880). ს. წერდა ძირითადად სომხ. ენის თბილ. დიალექტზე, რ-იც მრავლად შეიცავს ქართ. სიტყვებსა და გამოთქმებს. ფართოდ იყენებდა თბილ. ფოლკლორს. ყოველივე ამან განაპირობა მისი ენის თავისებურება. ს-ის პიესები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. ქართულად თვითონ ავტორი თარგმნიდა.

თხზ.: პიესები, თბ., 1950.

ლიტ.: ბუხნიკაშვილი გ., გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული თეატრი, თბ., 1976; Агоян Г., Габриэл Сундукян, Ер., 1956.


ა. ბარათაშვილი.

სუნთქვა, ფიზიოლოგიურ პროცესთა ერთობლიობა, რ-ის შედეგადაც ორგანიზმი ღებულობს ჟანგბადს და ათავისუფლებს ნახშირორჟანგს. იგი მოიცავს ჰაერის ცვლას ატმოსფეროსა და ფილტვის ალვეოლებს შორის (ფილტვის ვენტილაცია), აირთა ცვლას ფილტვის ალვეოლების ჰაერსა და ალვეოლების სისხლძარღვებში მიმდინარე სისხლს შორის (აირთა დიფუზია ფილტვებში, გარეგანი ს.), სისხლის მიერ აირთა ტრანსპორტს (ჟანგბადისა— ფილტვებიდან ქსოვილებში, ხოლო ნახშირორჟანგისა — ქსოვილებიდან ფილტვებში), აირთა ცვლას დიდი წრის კაპილარებში სისხლსა და ქსოვილებს შორის (აირების დიფუზია ქსოვილებში). ქსოვილებში ჟანგბადი მოიხმარება საჟუათო ნივთიერებების დასაჟანგავად (ქსოვილთა ს.), რის შედეგადაც თავისუფლდება ენერგია და წარმოიშობა ნახშირორჟანგი.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებში O_2-ის დიფუნდირება ხდება სხეულის ზედაპირით. სხეულის აღნაგობის გართულებასთან ერთად წარმოიშვა ს-ის ორგანოები, სისხლის მიმოქცევის სისტემა, რ-შიც მოძრაობს ჰემოლიმფა ან სისხლი; ეს უკანასკნელი კი შეიცავს O_2-ისა და CO_2-ის შემაკავშირებელ და გადამტან ნივთიერებებს. მწერებში გაჩნდა *ტრაქეები*. წყლის ცხოველები წყალში გახსნილ O_2-ს ითვისებენ *ლაყუჩების* საშუალებით. ზოგიერთი თევზის ლაყუჩების როლს ასრულებს ნაწლავის სისხლძარღვოვანი ქსელი. ცხოველი წყალსა და მასში გახსნილ O_2-ს ჭლაპავს და ამ გზით ხორციელდება აირთა ცვლა. წყალში მცხოვრები მრავალი ცხოველის ორგანიზმში აირთა ცვლა ხდება კანის საშუალებით. ამფიბიების (ბაყაყებს) კანით სუნთქვასთან ერთად უკვე გაუჩნდათ ფილტვები. ხმელეთზე მცხოვრებ ყველა ცხოველს აქვს ფილტვები. ფრინველების ფილტვები დაკავშირებულია საჰაერო პარკებთან, რ-ებიც ფრენის დროს მოცულობაში მატულობენ და მათ ფრენას უადვილებენ. ამფიბიებსა და რეპტილიებში ჰაერის ჩატუმბვა ხდება პირის კუნთების მოძრაობით. ფრინველებში, ძუძუმწოვრებში და მ. შ. ადამიანში შესუნთქვა ხდება დიაფრაგმისა და გარეთა ნეკნთაშუა და ხრტილთაშუა კუნთების დახმარებით. ამ კუნთების შეკუმშვისას გულმკერდის ღრუ ფართოვდება, მას მიჰყვება ფილტვები და მათი ღრუ ფართოვდება, რის გამოც ჰაერის წნევა მათში ეცემა, ატმოსფერულზე ნაკლები ხდება და შესუნთქვა ხორციელდება. ზომიერი ს-ის დროს ამოსუნთქვა ძირითადად პასიურია, ე. ი. შემსუნთქავი კუნთები მოდუნებულია. ფორსირებული ს-ის დროს კი მას ეხმარებიან შიგნითა ნეკნთაშუა კუნთები და ზოგიერთი სხვა კუნთი.


სასუნთქ მოძრაობათა საშუალებით ხდება ფილტვების ვენტილაცია, ე. ი. ფილტვების ალვეოლებში ჰაერის განახლება, რათა ალვეოლურ ჰაერში O_2-ის პარციალური წნევა იყოს მეტი, ხოლო ნახშირორჟანგისა — ნაკლები, ვიდრე მათი წნევა ალვეოლების ირგვლივ კაპილარებში გამავალ ვენურ სისხლში. ალვეოლის კედლისა და სისხლძარღვოვანი კაპილარის კედლის სისქე ერთად 0,5 *მკმ*-ს შეადგენს და ამიტომ შესაძლებელი ხდება აირთა დიფუზია ამ ბარიერის გზით. O_2-ის დიფუნდირება ხდება ალვეოლური ჰაერიდან სისხლში, აქ იგი იხსნება პლაზმაში და პლაზმიდან ერითროციტში სწრაფად უერთდება ჰემოგლობინს. CO_2-ის დიფუნდირება კი ხდება სისხლიდან ალვეოლურ ჰაერში. ამგვარად, აირთა დიფუზიის შედეგად ფილტვებში მისული ვენური სისხლი გადაიქცევა არტერიულ სისხლად, რ-იც, მიდის რა მარცხ. წინაგულში, მარცხ. პარკუჭით მიემართება ორგანიზმის დიდი წრის კაპილარებში. აქ, ისევე როგორც ფილტვებში, ხდება აირთა დიფუზია — O_2-ისა სისხლიდან ქსოვილებისაკენ, CO_2-ისა კი — პირიქით. დიფუზური ნაკადი მიმართულია სისხლიდან ქსოვილებისა და უჯრედებისაკენ. ამის შედეგად ქსოვილები მარაგდება O_2-ით და თავისუფლდება CO_2-გან. ამგვარად, სისხლი კაპილარების ვენურ ბოლოზე უკვე სრულიად ვენურია. აქვე აღსანიშნავია, რომ O_2-ის რაოდენობა აქ შეადგენს საშუალოდ 12%-ს, ნაცვლად 19—20 მოცულობითი პროცენტისა, ხოლო CO_2-ისა — 56—58%-ს, ნაცვლად 50—52 მოცულობითი პროცენტისა. მომუშავე კუნთი სისხლიდან პრაქტიკულად მთელ O_2-ს მოიხმარს. ეს იმიტომ ხდება, რომ გულისა და ჩონჩხის კუნთი შეიცავს *მიოგლობინს*. დიდი რაოდენობით O_2-ს ხმარობს აგრეთვე თირკმელი და ტვინი.

მეტაბოლიზმის დისიმილაციის ფაზის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის — ქსოვილთა ს-ის დროს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების შედეგად თავისუფლდება ენერგია, რ-იც იხარჯება ყველა სასიცოცხლო პროცესის განსახორციელებლად. ეს პროცესები სუბსტრატების (ნახშირწყლების, ცხიმების, ცილებისა და მათი დაშლის პროდუქტების) დეჰიდრირებით და ამინომჟავათა დეზამინირებით მიმდინარეობს მიტოქონდრიებში. ამგვარად, ბიოქიმ. თვალსაზრისით, ს. არის ნახშირ-



გ. სუნდუკიანი.

სუმის ოლქი



წყლებისა და სხვა ნივთიერებების ენერგიის გარდაქმნა მაკროერგული ფოსფოროვანი ნაერთების ენერგიად.

ს. (სასუნთქ მოძრაობათა რიტმი და სიღრმე) რეგულირდება ს-ის ცენტრის მეშვეობით, რ-იც მდებარეობს მოგრძო ტვინში და შედგება შესუნთქვისა და ამოსუნთქვის ცენტრისაგან. მის ნეირონებს აქვთ ავტომატიზმის უნარი, ე. ი. აიგზნებიან იმ პროცესებით, რ-ებიც თვითონ მათში მიმდინარეობენ. შესუნთქვისა და ამოსუნთქვის ნეირონებს შორის არსებობს რეციპროკული დამოკიდებულება (როდესაც ერთნი აიგზნებიან, მეორენი შეკავდებიან). ამის მიუხედავად, მოგრძო ტვინის სუნთქვის ცენტრის კოორდინაცია არასრულყოფილია. თუ გადავჭრით ტვინს მოგრძო ტვინის ზემოთ ისე, რომ ვაროლის ხიდი გადანაჭერის ზემოთ დარჩეს, გადავჭრით აგრეთვე ცთომილ ნერვებს, მაშინ ს-ის რიტმიკა დაირღვევა, ცხოველი შეისუნთქავს, მაგრამ ვეღარ ამოისუნთქავს და დაიღუპება. მაშასადამე, რომელიღაც სტრუქტურა ვაროლის ხიდში და ცთომილი ნერვებით ტვინში მისული აფერენტული იმპულსები განაპირობებენ ს-ის რიტმიკის ჩამოყალიბებას. ვაროლის ხიდში არის ე. წ. პნევმოტაქსიკური ცენტრი, რ-იც მოგრძო ტვინის შესუნთქვის ცენტრიდან მოსული იმპულსებით აიგზნება, გადასცემს იმპულსებს მოგრძო ტვინის ამოსუნთქვის ცენტრს და ააგზნებს მას. გარდა ამისა, შესუნთქვის დროს ფილტვის ქსოვილის გაჭიმვის შედეგად ფილტვებში მოთავსებული რეცეპტორები ღიზიანდებიან, ცთომილი ნერვის აფერენტული ბოჭკოებით იმპულსებს უგზავნიან მოგრძო ტვინის ამოსუნთქვის ცენტრს და ააგზნებენ მას. მაშასადამე, ვაროლის ხიდის პნევმოტაქსიკური ცენტრიდან მოსული იმპულსები და ცთომილი ნერვით მოსული აფერენტული იმპულსები იმდენად ძლიერად ააგზნებენ ამოსუნთქვის ცენტრს, რომ შესუნთქვის ცენტრი რეციპროკულად შეკავდება, შესუნთქვა შეწყდება და ამოსუნთქვით შეიცვლება.

რაც შეეხება შესუნთქვის ცენტრს, ფიქრობენ, რომ მისი აგზნება ხდება სისხლის CO_2-ით და სხვადასხვა რეცეპტორიდან მოსული იმპულსებით. ამ რეცეპტორებიდან მთავარია აორტისა და საძილე სინუსის სხეულაკების ქემორეცეპტორები, რ-ებიც ღიზიანდებიან სისხლში CO_2-ის სიჭარბით და O_2-ის ნაკლებობით. უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია მოგრძო ტვინის ვენტრო-ლატერალურ ზედაპირზე, ენისქვეშა ნერვის გამოსვლის დონეზე, 2 *მმ* ზომის სხეულაკი, რ-იც შეიცავს CO_2-სადმი და H^+-იონების კონცენტრაციის გაზრდისადმი მგრძნობიარე ქემორეცეპტორებს. ამ სხეულაკების დაშლის შემდეგ ს. ჩერდება.

ს-ის ქემორეცეპტორული რეგულაცია წარმოადგენს უკუკავშირის პრინციპით რეგულაციის კლასიკურ მაგალითს — ფიზიოლ. პარამეტრის — CO_2-ის კონცენტრაციის გადახრა ოპტიმალური დონიდან განაპირობებს ფილტვების ვენტილაციის შეცვლას და CO_2-ის დონე ოპტიმალურს უახლოვდება.

ს-ის ცენტრი რეაგირებს იმ იმპულსებზეც, რ-ებიც მიდიან მომუშავე კუნთებიდან და ამიტომ ს. გაცილებით ადრე ძლიერდება, ვიდრე სისხლში CO_2-ის კონცენტრაცია ოპტიმალურიდან გადაიხრება. ამაზე ადრე ს. იცვლება პირობითრეფლექსურად. ს-თან ერთად ყოველთვის იცვლება სისხლის მიმოქცევა, ამიტომ მათი ნეიროჰუმორული რეგულაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ლიტ.: Дыхательный центр, М., 1975; Маршак М. Е., Регуляция дыхания у человека, М., 1961; Нормальная физиология, под ред. А. В. Коробкова и др., М., 1980; Сравнительная физиология животных, т. 1, под ред. Л. Проссера, пер. с англ., М., 1977; Физиология дыхания, под ред. Л. Л. Шика и др., Л., 1973; Физиология человека, под ред. Е. Б. Бабского, 2 изд., М., 1972; Холден Дж., Пристли Дж., Дыхание, пер. с англ., М.—Л., 1937.

ა. ბაკურაძე.

ს. მცენარეებში, დისიმილაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რ-იც ახასიათებს მცენარის ყველა ქსოვილსა და უჯრედს. ს-ის დროს გამომუშავდება ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი ენერგია. ს. ჟანგვა-აღდგენითი პროცესია და მისი ინტენსივობა განისაზღვრება გამოყოფილი CO_2-ის ან შთანთქმული O_2-ის რაოდენობით. ქლოროფილის შემცველ ქსოვილთა ს-ის ინტენსივობის აღრიცხვა სიბნელეში ხდება, ვინაიდან სინათლეზე, ფოტოსინთეზის პროცესში, აირთა ცვლა საწინააღმდეგო მიმართულებით მიმდინარეობს. ს. წარმოადგენს მულტიფერმენტულ რეაქციათა მრავალრგოლიან სისტემას. მიტოქონდრიების შიდა მემბრანაზე მიმდინარეობს ს-ის სუბსტრატის (ძირითადად ნახშირწყლები) განთავისუფლებული H-ის დაჟანგვა და ელექტრონების გადატანა O_2-ზე.

ს-ის ყველაზე მაღალი ინტენსივობა ახასიათებს სწრაფად მოზარდ ქსოვილებს (მერისტემებს), გაღივებულ თესლს, ჯირკვლოვან უჯრედებს. ორგანოებში, რ-თაც აქტ. ს. ახასიათებთ (მაგ., ყვავილი), აღრიცხულია ს-ის შედეგად ტემპ-რის მნიშვნელოვანი მომატება გარემოს ტემპერასთან შედარებით. ბაქტერიების განსაკუთრებით ინტენს. ს-ის შედეგად გამოყოფილმა სითბომ შეიძლება თივის თვითაალებაც გამოიწვიოს.

მცენარის აქტ. ზრდის პერიოდის დამთავრების შემდეგ ქსოვილთა ს. მცირდება, რაც დაკავშირებულია პროტოპლაზმის დაბერების პროცესთან. თესლისა და ნაყოფის მომწიფების დროს ს-ის ინტენსივობა მცირდება.

ს., როგორც სხვა სასიცოცხლო პროცესები, ბევრადაა დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე. მასზე, როგორც ფერმენტულ პროცესზე, დიდ გავლენას ახდენს ტემპ-რა. გარკვეულ ფარგლებში ტემპ-რის 10°C-ით გაზრდისას აღინიშნება ს-ის ინტენსივობის გაორმაგება.

მწვანე ქსოვილის ს-ზე გარკვეულად მოქმედებს სინათლე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სინათლეზე ფოტოსინთეზს ახლავს საკმაოდ ინტენს. ფოტოსუნთქვა, რ-საც სიბნელეში ს-თან არავითარი საერთო არა აქვს, თუმცა ამ პროცესშიც ხდება O_2-ის შთანთქმა და CO_2-ის გამოყოფა. ფოტოსუნთქვის სუბსტრატს ფოტოსინთეზის პროცესში სინთეზირებული გლიკოლის მჟავა წარმოადგენს, რ-იც იჟანგება პეროქსისომებში. ფოტოსუნთქვის დროს შეიძლება დაიხარჯოს ასიმილირებული ნახშირბადის 30% და მეტიც.

ს. ბევრადაა დამოკიდებული ციტოპლაზმაში წყლის შემცველობაზე, ცილების ჰიდრატაციაზე. ამიტომაა, რომ მშრალი თესლი სუნთქავს ძალიან სუსტად, გაღივებული კი — 100 და 1000-ჯერ უფრო ძლიერად. O_2-ის რაოდენობის შემცირება გარემოში იწვევს ს-ის ინტენსივობის შემცირებას, CO_2-ის დაგროვება კი — ს-ის დათრგუნვას. ს-ის ინტენსივობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს მექან. და ქიმ. ზემოქმედებაც (ჭრილობა, ზოგიერთი შხამი და სხვ.).

ლიტ.: Лархер В., Экология растений, пер. с нем., М., 1978; Либберт Э., Физиология растений, пер. с нем., М., 1976; Рубин Б. А., Курс физиологии растений, 4 изд., М., 1976.

შ. ჭანიშვილი.

სუნთქვის კოეფიციენტი, ორგანიზმიდან გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოცულობის შეფარდება შეთვისებული ჟანგბადის მოცულობასთან; V_{CO_2}/V_{O_2}. აღინიშნება — *სკ*; *RQ*- *R.* ს. კ-ის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგ., ადამიანის *ძირითადი ცვლის* გამოკვლევისას ან ცხოველებში აირცვლის თავისებურებათა შესწავლისას. ს. კ. ადამიანსა და ცხოველებში 0,7-იდან 1,0-მდე მერყეობს, იშვიათად ერთს აღემატება, მაშინ როდესაც ადგილი აქვს ნახშირწყლების გარდაქმნას ცხიმად, აგრეთვე გაძლიერებული ფიზ. მუშაობის დროს, როდესაც ორგანიზმიდან გამოიყოფა მანამდე შებოჭილი CO_2. ნახშირწყლების დაჟანგვისას 1 *მოლ* ჟანგბადის მოხმარების დროს ორგანიზმში წარმოიქმნება 1 *მოლ* ნახშირორჟანგი, რადგანაც ჟანგბადი იხარჯება მხოლოდ ნახშირბადის დასაჟანგავად. წყალბადის დაჟანგვა წყლამდე კი უზრუნველყოფილია თვით ნახშირწყლის მოლეკულის ჟანგბადით და რადგანაც სხვადასხვა აირის (ამ შემთხვევაში CO_2 და O_2) გრამმოლეკულებს ერთი და იგივე წნევისა და ტემპ-რის პირობებში თანაბარი მოცულობა უკავიათ, ამიტომ $RQ=1$. ცხიმის მოლეკულაში *RQ* 1-ზე ნაკლებია (0,7—0,72), ცილების დაჟანგვისას კი — 0,8—0,82-ს უდრის. *ა. ბაკურაძე.*

მცენარეებში ს. კ-ის სიდიდე დამოკიდებულია იმ ძირითად სუბსტრატზე, რ-საც მცენარეული უჯრედი იყენებს სუნთქვის დროს. თუ ეს ნახშირწყლებია, მაშინ ს. კ. 1-ის ტოლია, თუ ცხიმები და ცილებია — 0,7—0,8 ტოლია. ორგ. მჟავების გამოყენების შემთხვევაში ს. კ. შეიძლება 1,7 აღწევდეს.

სუნთქვის ორგანოები, ადამიანისა და ცხოველთა ორგანოები, რ-ებშიც ხდება სუნთქვა ანუ აირცვლა, ე. ი. ორგანიზმის მიერ ჟანგბადის შეთვისება და ნახშირორჟანგის გამოყოფა. ერთუჯრედიანი და ყველაზე პრიმიტიული მრავალუჯრედიანი ორგანიზმები (ღრუბლები) სუნთქავენ სხეულის ყველა უჯრედით, უფრო რთული ორგანიზმები კი — მთელი *კანით* (ნაწლავღრუიანები, ბრტყელი ჭიები, ზოგი ძალიან პატარა ზომის მწერი და სხვ.); თანაც სხეულის ნაწილების მიერ ჟანგბადის მიღება და ნახშირორჟანგის გაცემა უშუალოდ კანში ხდება, უფრო მაღალორგანიზებულ ცხოველებში კი ამ ნივთიერებათა გადატანას ემსახურებიან სპეც. ტროფიკული ქსოვილები (ფაშარი შემაერთებელი ქსოვილი, *ჰემოლიმფა, სისხლი*). ევოლუციის შემდგომ ეტაპზე უკვე სპეც. ს. ო. წარმოიქმნება, თუმცა კანი სუნთქვის ფუნქციას მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებს. ცხოველთა საარსებო გარემოს ხასიათის შესაბამისად, ს. ო. ორი ტიპისაა: ერთი განკუთვნილია წყალში სუნთქვისათვის (*ლაყუჩები*), მეორე — ხმელეთზე სუნთქვისათვის (არსებობს ორი სახის: *ფილტვები* და *ტრაქეები*). ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფში ს. ო. კონვერგენტულადაა განვითარებული (იხ. *კონვერგენცია*) და მათი მსგავსება (ხშირად ძალიან ძლიერიც) მხოლოდ ანალოგიას ეფუძნება. ს. ო-ის პროგრ. ევოლუცია უმთავრესად სასუნთქავი ზედაპირის გადიდებით ვლინდება, რაც სხვადასხვა გზით ხორციელდება.

თვით ს. ო-ის გარდა საჰაერო გარემოში ვითარდება სასუნთქავი გზებიც, რ-ებითაც ჰაერი ს. ო-მდე მიდის (იხ. *ცხვირის ღრუ, ქოანები, ხორხი, სასულე, ბრონქები*).

ზოგჯერ სასუნთქავ გზებთან დაკავშირებულია სპეც. საჰაერო რეზერვუარები (მაგ., ფრინველების *საჰაერო პარკები*). საკუთრივ ს. ო-თან ერთად გარდაიქმნება სუნთქვის მექანიზმიც, რ-იც უზრუნველყოფს სასუნთქავ ზედაპირზე ს. ო-ში წყლისა და ჰაერის შეღწევას. მაგ., წყლის ხერხემლიანებში (ნაწილობრივ ამფიბიებშიც) სუნთქვითი მოძრაობები ხორციელდება პირის ღრუსა და სალაყუჩე აპარატის კუნთებით, ხმელეთის ხერხემლიანებში — გულმკერდის (ნეკნების) კუნთებით და *დიაფრაგმით* (ძუძუმწოვრები, ადამიანი); ფრინველებს სრულიად თავისებური სუნთქვითი მოტორიკა ჩამოუყალიბდათ (მათი სუნთქვითი მოძრაობები საფრენი

მუსკულატურითვე სრულდება), რის შედეგადაც ფილტვებში ჰაერი შედის როგორც ჩასუნთქვის, ისე ამოსუნთქვის (საჰაერო პარკებიდან) დროს (ე. წ. „ორმაგი სუნთქვა“). *ლ. ნათაძე.*

სუნთქვის ცენტრი, მოგრძო ტვინის სხვადასხვა მიდამოში არსებული ნეირონების რამდენიმე ჯგუფის ერთობლიობა, რ-იც წარმოადგენს ერთიან ფუნქციურ სისტემას. ს. ც. მოთავსებულია ვაროლის ხიდის ზემო საზღვარსა და მოგრძო ტვინის ქვემო განყ-ბას შორის იმ მიდამოში, რ-იც *რეტიკულურ ფორმაციას* ეკუთვნის. ს. ც-ის იმპულსები მიდიან ზურგის ტვინის მოტონეირონებთან, რ-ებიც ანერვიანებენ დიაფრაგმასა და ნეკნთაშუა მუსკულატურას. სწორედ ამიტომ ზურგის ტვინის გადაჭრა კისრის მე-4 სეგმენტის ზევით, სადაც მოთავსებულია ის ნეირონები, რ-თა მორჩები ქმნიან შუასაძგიდის ნერვს, იწვევს სუნთქვის შეწყვეტას. ს. ც-ის სპეციფ. გამღიზიანებელია ნახშირორჟანგი. *გ. მაჭავარიანი.*

სუნი, ჩინეთის იმპერატორთა დინასტია (960—1279). მისი დამაარსებელია მხედართუფროსი ჯაო კუანინი, რ-იც ცნობილია სატაძრო სახელით ტაიძუ (960—976). მისი და მისი მემკვიდრის ტაიძუნის (976—997) დროს მიმდინარეობდა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. 1127-იდან ჯურჯენების მიერ ქვეყნის ჩრდილოეთის მიტაცების შემდეგ ს-ის ხელისუფლება გავრცელდა მხოლოდ სამხრ. ჩინეთზე. 1279 ს-ის დინასტია მოსპეს მონღ. დამპყრობლებმა, რ-ებმაც ჩინეთში *იუანის* (1279—1368) დინასტია გააბატონეს.

სუნ იატსენი [12. XI. 1866, სიანშანის (ჯუნშანის) მაზრა, გუანდუნის პროვინცია, — 12. III. 1925, პეკინი; დასაფლავებულია ნანკინში], ჩინელი რევოლუციონერ-დემოკრატი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1892 დაამთავრა სიანგანის (ჰონკონგის) სამედ. ინ-ტი. მის მიერ 1894 დაარსებულმა რევ. ორგანიზაციამ *სინჯუნხოიმ* 1895 წ. 25 ოქტ. მოაწყო აჯანყება ცინების წინააღმდეგ, რ-იც მარცხით დამთავრდა. ემიგრაციაში (იაპონია, აშშ, დას. ევრ. ქვეყნები) ყოფნისას ს. ი. ახ. ანტიმანჯურიული აჯანყების გეგმებს ამუშავებდა. 1905 ტოკიოში მისი მეთაურობით შეიქმნა სრულიად ჩინეთის რევ. ორგანიზაცია *ტუნმენხოი*, რ-ის საქმიანობას საფუძვლად დაედო ს. ი-ის მიერ შემუშავებული „სამი სახალხო პრინციპი“: ნაციონალიზმი [მანჯურიულ-ცინური დინასტიის დამხობა და ჩინ. (ხანთა) ეროვნების სუვერენიტეტის აღდგენა], სახ. ხელისუფლება (რესპუბლიკის დაფუძნება) და ხალხის კეთილდღეობა (მიწაზე უფლებათა გათანაბრება ამერ. ბურჟ. ეკონომისტის ჰ. ჯორჯის უტოპიური სოციალ. იდეების მსგავსად). 1905—11 ტუნმენხოის ხელმძღვანელობით ჩინ. სხვადასხვა პროვინციებში იფეთქა ადგილ. ანტიმანჯურიულმა შეიარაღებულმა გამოსვლებმა, ძლევამოსილმა უჩაინის აჯანყებამ 1911 წ. 10 ოქტ. ჩინეთი რესპუბლიკად გამოაცხადა და დასაბამი მისცა *სინხაის რევოლუციას*. 1911 დეკ-ში ს. ი. ჩინ. რესპ. პირველ დროებით პრეზიდენტად აირჩიეს. მისი უშუალო მონაწილეობით შეიმუშავეს ჩინ. რესპ. იმ პირობებში დემოკრ. დროებითი კონსტიტუცია. ვ. ი. ლენინი, რ-იც დიდი სიმპათიით ეპყრობოდა ჩინ. ხალხის რევ. ბრძოლას, მაღალ შეფასებას აძლევდა ს. ი-ის მოღვაწეობას და წერდა, რომ იგი „...არის რევოლუციური დემოკრატი, კეთილ შობილებითა და გმირობით აღსავსე...“ (თხზ., შე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 188). ამავე დროს ვ. ი. ლენინი მიუთითებდა მის უტოპიურ შეხედულებებზე: ს. ი-ს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ჩინეთს გვერდი აევლო კაპიტალიზმის განვითარებისათვის. 1912 წ. 12 თებ. მმაროველი მანჯურიული დინასტიის მიერ ძალაუფლებაზე უარის თქმის შემდეგ შინაგანი რეაქციული ძალების ზემოქმედებით ს. ი. იძულებული გახდა მოეხსნა პრეზიდენტის რწმუნებები (1912 წ. 1 აპრ.). ტუნმენხოის ნაცვლად შექმნილი *გომინდანის* პარტიის მეშვეობით იგი გააგრძობდა ბრძოლას ჩინ. დემოკრ. წყობილების დამყარებისათვის. დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ რუსეთში 1917 ს. ი-ზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. 1918 მან ვ. ი. ლენინსა და საბჭოთა მთავრობას დეპეშა გაუგზავნა, რ-შიც გამოთქვა აღტაცება რუსეთის რევ. მასების გმირული ბრძოლების გამო და იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში ჩინ. და რუს. რევ. პარტიები გაერთიანდებოდნენ ერთობლივი ბრძოლისათვის, რუს. რევოლუციას იგი ახასიათებდა როგორც „კაცობრიობის დიდი იმედის“ დაბადებას.

ოქტ. რევ. ძლევამოსილი იდეებისა და 1921 შექმნილ ჩინ. კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ზეგავლენით ს. ი-მა „სამი სახალხო პრინციპი“ გაამდიდრა ახ. შინაარსით. ეს პრინციპები საფუძვლად დაედო ანტიიმპერიალ. და ანტიფეოდ. ფრონტის შექმნას. 1924 ს. ი-მა გამოაცხადა სამი ძირითადი პოლიტ. დებულება. ურღვევი კავშირი საბჭოთა კავშირთან, კავშირი ჩინ. კომპარტიასთან, მუშათა და გლეხთა მასებზე დაყრდნობა. ეს სამი დებულება გახდა „სამი სახალხო პრინციპის“ ორგ. ნაწილი და მისი პოლიტ. საფუძველი.

სიცოცხლის ბოლოს ს. ი. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბრძოლა ეკონ. ჩაგვრის მოსასპობად აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს თავისი ქვეყნის მუშებს და გლეხებს.

ლიტ.: დონაძე ვ., სუნ იატ-სენი, თბ., 1955.

სუნიზმი (<*სუნა*), *ისლამის* ძირითადი მიმართულება, რ-იც ითვლება ორთოდოქსალურად. ს-ის მიმდევრები—სუნიტები უმრავლესობას წარმოადგენენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამია გავრცელებული (გამონაკლისია ირანი, სამხრ. ერაყი, იემენის არაბ. რესპუბლიკა; სსრკ-ში — აზერბაიჯანი და ტაჯ. მთიანეთი). მუსლ. თემის იმამ-ხალიფას, შიიტებისაგან (იხ. *შიიტობა*) განსხვავებით, ირჩევენ მთელი თემის ფორმალური თანხმობის საფუძველზე. ს. მოიცავს 4 რელიგიურიდ. სკოლას. (მაზჰაბს). წმინდა ქ-ებად აღიარებს მექასა და მედინას.

სუნისი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ზნაურის რ-ნში (ზნაურის სადაბო საბჭო), მდ. შუა ფრონის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 800 *მ*, ზნაურიდან 1,5 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ*. ზნაურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ზნაურში.

სუნის შეგრძნება, ყნოსვა, ს. შ-ის რეცეპტორები მდებარეობს ცხვირის ღრუს ზედა ნაწილის ლორწოვან გარსზე. მათ გაღიზიანებას იწვევს საგნის ნაწილაკები, რ-ებიც აირისებრ მდგომარეობაში ჰაერთან ერთად შედიან ცხვირში და ეხებიან რეცეპტორებს. გაღიზიანება ქიმ. ბუნებისაა. ს. შ-ის რეცეპტორები უკიდურესად მგრძნობიარეა: ადამიანმა რომ შეიგრძნოს ვანილის, მუშკის ან მათი მსგავსი სხვა ნივთიერების სუნი, საკმარისია ამ ნივთიერებათა მილიგრამის მემილიონედის დაშლა ჰაერის ერთ კუბურ სანტიმეტრში. ზოგიერთი ცხოველის (მელა, მეძებარი ძაღლი) ყნოსვა გაცილებით უფრო მგრძნობიარეა. რიგი ს. შ-ებისა დაკავშირებულია ემოციურ განცდასთან; ზოგი სუნი ზიზღის გრძნობას იწვევს, ზოგი კი — სასიამოვნოს. ყნოსვას საკმაოდ ძლიერი ადაპტაცია ახასიათებს. ს. შ. გაელენას ახდენს გემოს შეგრძნებაზე. საჭმლის სუნი გარკვეულ ელფერს აძლევს მის გემოსაც.

ლიტ.: ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1977; Бронштейн А. И., Вкус и обоняние, М.—Л., 1950; Вудворт Р., Экспериментальная психология. Сокр. пер. с англ., М., 1950; Кравков С. В., Очерк общей психофизиологии органов чувств, М., 1946; Handbuch der Psychologie in 12 Bänden, Bd.1, Gött., 1966. *რ. ნათაძე.*

სუნ ცინლინი (1890, ქ. შანხაი, — 1981), ჩინეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, *სუნ იატსენის* ქვრივი. განათლება მიიღო აშშ-ში. ჩინ კაიშის 1927 კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ გამოვიდა *გომინდანის* რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1927—29 იყო სსრკ-ში, დას. ევროპასა და აშშ-ში. 1932 იყო ადამიანის უფლებათა დაცვის ჩინ. ლიგის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ანტიიაპ. ომის (1937—45) პერიოდში მისი ინიციატივით 1938 შეიქმნა ჩინ. დაცვის ლიგა. 1949—54 ჩინ. სრ ცენტრ. სახ. მთავრობის საბჭოს თავ-რის მოადგილე. 1954—59 და 1975-იდან სრულიად ჩინ. სახ. წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავ-რის მოადგილე. 1959—75 ჩინ. სრ თავ-რის მოადგილე. 1953-იდან სრულიად ჩინ. ქალთა ფედერაციის საპატიო თავ-რე. 1954-იდან ჩინ.-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზ-ბის თავ-რე. 1950 აირჩიეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრად. მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემია (1951).



სუნ იატსენი.

სუნ ჟიაოძენი (6. IV. 1882, ტაოიუანის მაზრა, ხუნანის პროვ., — 22. III. 1913, შანხაი), ჩინელი რევოლუციონერი. რევ. მოძრაობაში მონაწილეობდა 1903-იდან. 1904 *ხუან სინთან* ერთად შექმნა რევ. ორგანიზაცია ხუასინხოი. 1905 შევიდა *ტუნმენხოიში* და მისი ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე გახდა. 1911 ივლისიდან მდ. იანძის აუზის პროვინციებში რევ. მომზადების მიზნით სათავეში ჩაუდგა მის მიერ დაარსებულ ცენტრ. ჩინ. ტუნმენხოის. ბურჟ. *სინხაის რევოლუციის* (1911—13) ერთ-ერთი ლიდერი. დიდი როლი შეასრულა გომინდანის პარტიის შექმნაში. მოკლეს იუან შიკაის ბრძანებით.


სუნჯა, მდინარე ჩრდ. ოსეთისა და ჩაჩნ.-ინგ. ასსრ-ებში, თერგის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 278 *კმ*, აუზის ფართ. 12200 *კმ²*. სათავე აქვს კავკასიონის ქედის ჩრდ. კალთაზე. ქვემოთში იტოტება. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 8 *კმ*-ზე 85,4 *მ³/წმ*. იყენებენ სარწყავად. ს-ის ნაპირზეა ქ-ები გროზნო და გუდერმესი.

სუნჯის ქედი, ქედი ჩრდ. კავკასიაში, მდ. სუნჯის მარცხ. ნაპირსა და ალხან-ჩურტის ხეობას შორის. აგებულია ნეოგენური ფიქლოვანი თიხებითა და ქვიშაქვებით. სიმაღლე 926 *მ*-მდე. კალთები შემოსილია სტეპის მცენარეულობით. დას. ამაღლებულ ნაწილში მეორეული საძოვარი მდელოებია, ხეობების ძირზე შემორჩენილია ფართოფოთლოვანი ტყის უბნები.


„სუომენ სოსიალიდემოკრაატტი-დემარი“ [„Soumen Sosialidemokraatti Demari — „ფინეთის სოციალ-დემოკრატი — დემარი“ (დემარი — მდაბიური ხალხური მიმართვა სოციალ-დემოკრატებისადმი)], ყოველდღიური გაზეთი, ფინ. ს.-დ. პარტიის ცენტრ. ორგანო. გამოდის ჰელსინკიში 1918-იდან. ტირაჟი 43,9 ათ. (1985).

სუპერ... (ლათ. super — ზევიდან, ზედ, -ზე), რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი), რ-იც აღნიშნავს: 1. რისამე ზევით მდებარეობას, მაგ., სუპერყდა; 2. რისამე უმაღლეს ხარისხს, მაგ., სუპერარტილერია; 3. უფროსობას, მაგ., სუპერარბიტრი.


სუპერგარეკანი, წიგნის ან ბროშურის დამატებითი (უფრო ხშირად მოსახსნელი) გარეკანი, ფურცელი, რ-იც შემოკეცილია წიგნის კიდეებზე; ამზადებენ მკვრივი ქაღალდისაგან (რ-საც ხშირად ლაქით ფარავენ), ხან — პოლიმერული აფსკისაგან. თავდაპირველად ს-ს იყენებდნენ



სუპერვიდიკონი: ა—სუპერვიდიკონის სქემა; ბ, გ—სეკვიდიკონისა და სუპერსილიციუმიკონის სამიზნის სქემები. 1—სატელევიზიო ობიექტი; 2—ობიექტივი; 3—ბოჭკოვან-ოპტიკური დისკო; 4 — ფოტოკათოდი; 5 — ფოტოელექტრონების ტრაექტორია; 6 — გამოსახულების გადამტანი სექციის ანოდი; 7—სასიგნალო ფირფიტა; 8—სამიზნე; 9—მაკომუტირებელი ელექტრონული სხივი; 10—ამომკითხავი სექციის ელექტრონულ-ოპტიკური სისტემა; 11—მეორეული ელექტრონების ტრაექტორია; 12—სამიზნის ბაზა (n ტიპის Si); 13—$\bar{p}$ ტიპის გამტარობის ელემენტების მოზაიკა; 14—SiO_2-ის გამყოფი შრე; 15—რეზისტიული დანაფარი.



სუპერკალანდრი: 1—ლითონის ლილვი; 2—ქაღალდის ლილვი; 3—ქაღალდწამყვანი ლილვი; 4—ლილვების მისაჭერი და ასაწევი მექანიზმი; 5—მიგორვა; 6—გაშლა.




სუპერორთიკონი. სუპერორთიკონის მოწყობილობის სქემა: 1 — სატელევიზიო ობიექტი; 2 — ობიექტივი; 3—ფოტოკათოდი; 4—მაჩარებელი ელექტროდი; 5—ფოტოელექტრონების ნაკადი; 6—სამიზნის ბადე; 7—სამიზნის აფსკი; 8—მამუხრუჭებელი ველის წარმომქმნელი ელექტროდი; 9—მაფოკუსებელი ელექტროდი; 10—მაფოკუსებელი კოჭა; 11—ამომკითხავი ელექტრონული სხივი; 12—უკუსხივი; 13—გადამხრელი კოჭა; 14—მეორეული ელექტრონული მამრავლებლის (მემ) ცილინდრი; 15—მაკორექტირებელი კოჭა; 16—ელექტრონული პროექტორის ანოდი (მემ-ის პირველი დინოდი); 17—მემ-ის დინოდები; 18—პროექტორის მმართველი ელექტროდი; 19—პროექტორის თერმოკათოდი; 20 — მემ-ის კოლექტორი. ისრებით ნაჩვენებია ელექტრონების ტრაექტორიები.

ვიდეომაძლიერებლისაკენ

ძვირფასი გამოცემის ყდის დასაცავად, შემდგომ კი — სარეკლამო მიზნით. ზოგჯერ მას წმინდა მხატვრული მნიშვნელობა აქვს.

სუპერვიდიკონი (*სუპერ...* და *ვიდიკონი*), *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკი*, რ-შიც ფოტოკათოდიდან სამიზნეზე გადატანილი გამოსახულება ამოიკითხება ელექტრონული სხივით. სამიზნის აგებულების მიხედვით ს. ორი სახისაა [სეკვიდიკონი (სე) და სუპერსილიციუმიკონი (სს)]. ს-ის მოქმედების პრინციპი ვიდიკონის მოქმედების პრინციპის ანალოგიურია. მისგან განსხვავებით აქვს გამოსახულების გადამტანი სექცია. ფოტოკათოდზე გამოსახულების დაპროექციება ხდება ოპტ. სისტემის გამოყენებით ბოჭკოვან-ოპტ. დისკოს (იხ. *ბოჭკოვანი ოპტიკა*) გავლით, რაც საშუალებას იძლევა გამოსახულების გადამტან სექციაში გამოყენებულ იქნეს ელექტრონების ელექტროსტატ. დაფოკუსება. ფოტოკათოდსა და სამიზნეს შორის სივრცეში გამოსახულების გადამტანი ფოტოელექტრონები აჩქარდებიან ~10 *კევ* ენერგიამდე, გაივლიან სეკვიდიკონში სასიგნალო ფირფიტას (0,1—0,2 *მკმ* სისქის Al-ის აფსკი) და შეალწევენ სამიზნეში (KCl-ის ან MgO-ს 15—20 *მკმ* სისქის ფოროვანი დიელექტრიკი), რ-შიც წარმოქმნიან მეორეულ ელექტრონებს, რ-ებიც მიემართებიან დადებითად დამუხტული სასიგნალო ფირფიტისაკენ და სამიზნეზე წარმოქმნიან დადებით პოტენციალურ რელიეფს. მეორე სახის ს-ში ფოტოელექტრონები ეცემა სამიზნის ბაზას (*n* ტიპის Si), რ-იც ასრულებს სასიგნალო ფირფიტის როლს და წარმოქმნის ელექტრონ—ხვრელის წყვილს. ხვრელები დიფუნდირდება სამიზნის *p* ტიპის გამტარობის უბნებისაკენ და წარმოქმნის დადებით პოტენციალურ რელიეფს. სამიზნეზე ამგვარად წარმოქმნილ ელექტრონულ გამოსახულებას ამოიკითხავს ელექტრონული სხივი. სე-ში გამოსახულების სიგნალი ძლიერდება 30—100-ჯერ, ხოლო სს-ში 1500—2500-ჯერ. ს. ძლიერ მგრძნობიარეა. ამ მხრივ იგი ჩამორჩება მხოლოდ *სუპერორთიკონს*. სამაგიეროდ მასზე მცირე მასა და გაბარიტი აქვს, საჭიროებს ნაკლები სიმძლავრის კვების წყაროს და ადვილი სამართავია.

სუპერიკონოსკოპი (*სუპერ...* და *იკონოსკოპი*), მუხტის დამგროვებელი და ფოტოკათოდიდან დიელექტრიკულ სამიზნეზე გამოსახულების გადამტანი *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკი*. ს-ში სამიზნეზე მუხტი გროვდება სწრაფი ელექტრონებით წარმოქმნილი მეორეული ელექტრონული ემისიის ხარჯზე. ს. უზრუნველყოფს გამოსახულების გადაცემის კარგ ხარისხს ობიექტის 400—1000 *ლქ* განათებულობის პირობებში. არასაკმარისი მგრძნობიარობის გამო XX ს. 70-იანი წლების დასაწყისიდან. ს. აღარ იხმარება. იგი შეიცვალა სხვა გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკებით (მაგ., *სუპერორთიკონით*).



დაკვირების რეზისტორისაკენ

სუპერკალანდრი (*სუპერ...* და *კალანდრი*), მანქანა, რ-ის დანიშნულებაა ქაღალდის გამოყვანა, ე. ი. მისი ზედაპირის სიგლუვის გადიდება, ქაღალდისათვის პენწის, სიმკვრივის, ტვიფრულობის მინიჭება და ა. შ.; შედგება ლითონისა და ქაღალდის 6—12 ლილვისაგან, რ-თა შორის ატარებენ ქაღალდის შოლტს (ნახ.). ლითონის ლილვს ამზადებენ თუჯისაგან (ზედაპირს ხეხავენ), ქაღალდის ლილვის მისაღებად კი ქაღალდის ქარგოლს ჩაწნეხენ ფოლადის გულარზე 45 *მეგპა* (450 *კგძ/სმ*²)-მდე წნევით, ხოლო შემდგომ ლილვს შემოჭარხავენ და გახეხავენ. ს-ში ქაღალდის შოლტის მოძრაობის სიჩქარე აღწევს 900 *მ/წთ*-ს. იყენებენ უმთავრესად საბეჭდი და საწერი ქაღალდის გამოსაყვანად.

სუპერორთიკონი (*სუპერ...* და *ორთიკონი*), ორმხრივსამიზნიანი შიგა გაძლიერების მქონე *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკი*. სტაბილურად მუშაობს გადასაცემი ობიექტის განათების ფართო დიაპაზონში. ს. სატელევიზიო კამერების მთავარი გადამცემი ელექტრონმილაკია; იყენებენ ტელესტუდიიდან მაღალხარისხოვანი გადაცემისათვის.

სუპერპოზიციის პრინციპი (გვიანდ. ლათ. superpositio — ზედდება < ლათ. superpono — მაღლა ვდებ), 1. ს. პ. ელექტროდინამიკაში — პრინციპი, რ-იც გამოხატავს წრფივ გარემოში ელექტრომაგნიტური ველის თვისებას. ს. პ-ის თანახმად, ელექტრომაგნ. ველების ზედდებისას წრფივ გარემოში მათი ელექტრული (***E***) და მაგნ. (***H***) დაძაბულობები გეომეტრიულად იკრიბება $\boldsymbol{E}=\sum_{i=1}^{n}\boldsymbol{E}_i$ და $\boldsymbol{H}=\sum_{i=1}^{n}\boldsymbol{H}_i$, სადაც $\boldsymbol{E}_i$ და $\boldsymbol{H}_i$ არის *i*-ური ველის დაძაბულობები, ხოლო *n* — შესაკრები ველების საერთო რიცხვი. 2. ს. პ. მექანიკაში — პრინციპი, რ-ის თანახმად, მატერ. წერტილი ორი $\boldsymbol{F}_1$ და $\boldsymbol{F}_2$ ძალის მოქმედებით ზუსტად ისე მოძრაობს, როგორც ამ ძალების გეომ. ჯამის ტოლი ერთი $\boldsymbol{F}$ ძალის მოქმედებით: $\boldsymbol{F}=\boldsymbol{F}_1+\boldsymbol{F}_2$. 3. ს. პ. ელექტროტექნიკაში — წრფივ ელექტრულ წრედში ემძ-ის მოქმედების დამოუკიდებლობის პრინციპი: წრფივი წრედის ნებისმიერ უბანში დენის ძალა უდრის დენის იმ ძალების ჯამს, რ-ებიც წარმოიქმნებიან ამ უბანში თითოეული ემძ-ის მოქმედებისას იმ პირობით, რომ დანარჩენი ემძ-ები ამასთან ერთად არ არსებობენ. 4. ს. პ. კვანტურ მექანიკაში — ფუნდამენტური პრინციპი, მისი ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი, რ-იც *განუსაზღვრელობათა თანაფარდობასთან* ერთად განსაზღვრავს თეორიის მათ. აპარატის სტრუქტურას. ს. პ-იდან გამომდინარეობს, რომ კვანტურ-მექან. სისტემის მდგომარეობები უნდა გამოისახებოდეს წრფივი სივრცის ვექტორებით, კერძოდ *ტალღური ფუნქციებით*; ამასთან, ფიზ. სიდიდეების *ოპერატორები* წრფივი უნდა იყოს და ა. შ. ს. პ. ამტკიცებს, რომ თუ კვანტურ-მექან. სისტემას შეუძლია იყოს ისეთ მდგომარეობებში, რ-ებიც აიწერებაᲐ $\psi_1, \psi_2, \ldots, \psi_n$ ტალღური ფუნქციებით, მაშინ ფიზიკურად დასაშვები იქნება ამ მდგომარეობათა სუპერპოზიციაც, ე. ი. მდგომარეობა, რ-იც გამოისახება ტალღური ფუნქციით $\psi = c_1\psi_1 + c_2\psi_2 + \ldots + c_n\psi_n$, სადაც $c_1, c_2, \ldots, c_n$ ნებისმიერი კომპლექსური რიცხვებია.

სუპერსტრატი (ლათ. *სუპერ*,..., და stratum — ფენა), მოსული, დამპყრობი ხალხის ენა, რ-მაც შერევის პროცესში გაავლენა მოახდინა ადგილ. მოსახლეობის ენაზე, თვითონ კი ხმარებიდან გამოვიდა; აგრეთვე—დამპყრობთა ენის გადმოწაშთები აბორიგენთა ენაში (იხ. *სუბსტრატი*).

სუპერფინიში (*სუპერ*.. . და ინგლ. finish — გამოყვანა, დამუშავება), გამოსაყვანი სამუშაოების ერთ-ერთი სახეობა ლითონების ჭრით დამუშავებისას. ს-ს ძირითადად ხეხვის შემდეგ მომართავენ უფრო გლუვი ზედაპირის (სისუფთავის მე-11—14 კლასის) მისაღებად. სამუშაოს ასრულებენ სპეც. ჩარხებზე აბრაზიული ან ალმასის ძელაკებით, რ-ებიც ასრულებენ უკუქცევით-წინსვლითსა და რხევით მოძრაობას. იარალის რხევითი მოძრაობის შედეგად დასამუშ. ზედაპირის უსწოროებები თანდათანობით მოიშრება.

სუპერფიციესი (ლათ. superficies — ზედაპირი), ზოგიერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართალში — სხვის მიწაზე ნაგებობათა აშენებისა და დარგვის უფლება (იხ. სტ. *სანივთო სამართალი*). ს. პირველად რომის სამართალში ჩამოყალიბდა. იჯარის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ს. არავითარი ვადით არ იზღუდებოდა, გადადიოდა მემკვიდრეობით და შეიძლებოდა გასხვისებულიყო მიწის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

სუპერფოსფატი, მინერალური *ფოსფორიანი სასუქი*. ფოსფორი ს-ში ძირითადად მონოკალციუმფოსფატისა და თავისუფალი ფოსფორმჟავას სახითაა წარმოდგენილი; შეიცავს თაბაშირსა და სხვა მინარევებს (რკინისა და ალუმინის ფოსფატებს, კაჟმიწას და სხვ.); მიიღება ბუნებრივი ფოსფატის (აპატიტი, ფოსფორიტი) ან აპატიტის კონცენტრატის გოგირდმჟავათი დამუშავების შედეგად. არსებობს ს-ის რამდენიმე ფორმა; მარტივი, ორმაგი, ფხვნილისებრი, გრანულირებული (დამარცვლული), ამონიზებული და სხვ.; იყენებენ ძირითადი განოყიერებისათვის, აგრეთვე თესვისას და ვეგეტაციის დროს მცენარის გამოსაკვებად.

სუპერპათეროდინული რადიომიმღებები (*სუპერ...* და *პეტეროდინი*), რადიომიმღებები, რ-შიც მიღებული რადიოსიგნალის დეტექტირებამდე ხდება მისი გადამტანი სიხშირის გარდაქმნა (დადაბლება) მოდულაციის კანონის შეუცვლელად. ს. რ. უზრუნველყოფს სიგნალების მაღალხარისხოვან მიღებას. იგი რადიომიმღებების ყველაზე გავრცელებული სახეობაა. უშუალო გაძლიერების რადიომიმღებთან შედარებით მისი მგრძნობიარობა, სელექციურობა და გაძლიერების კოეფიციენტი გაცილებით დიდია.

სუპლეტივიზმი (<გვიანდ. ლათ. supletio — შევსება, დამატება), ფუძემონაცვლეობა (გრამატიკაში), ერთ პარადიგმაში სხვადასხვა ფუძის მქონე სიტყვები. მაგ., „ვარ — ვიყავი — ვიქნები“ (შდრ. ჩვეულებრივი პარადიგმა: „ვაკეთებ — ¹გავაკეთე — გავაკეთებ“).

სუპრემატიზმი (<ლათ. supremus — უმაღლესი), მოდერნისტული მიმართულება სახვით ხელოვნებაში. საფუძველი ჩაუყარა კ. მალევიჩმა რუსეთში 1910-იანი წწ. I ნახევარში. ს. წარმოადგენდა *აბსტრაქტული ხელოვნების* ნაირსახეობას, გამოიხატებოდა მარტივი გეომ. მოხაზულობების მქონე ფერადოვანი სიბრტყეების კომბინაციებით, რაც გამომსახველობით აზრს იყო მოკლებული.

სუპრუნი სტეფანე პაველეს ძე [20. VII (2. VIII). 1907, სოფ. რეჩკი, ახლანდ. ბელოპოლიეს რ-ნი, სუმის ოლქი, — 4. VII. 1941, სოფ. მონასტირის მახლობლად, ტოლოჩინის რ-ნი, ვიტებსკის ოლქი], ორ-

გზის საბჭ. კავშირის გმირი (20. V. 1940 და 22. VII. 1941, სიკვდილის შემდეგ), ავიაციის პოდპოლკოვნიკი (1940). სკკპ წევრი 1930-იდან. 1931 დაამთავრა პილოტების სამხ. სკოლა. 1939—40 ჩინეთში მონაწილეობდა იაპ. დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში. დიდ სამამულო ომში (1941—45) მეთაურობდა განსაკუთრებული დანიშნულების საავიაციო 401 გამანადგურებელ პოლკს. დაიღუპა მოწინააღმდეგის 6 გამანადგურებელთან ბრძოლაში. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, უცხოური ორდენითა და მედლებით.

სურა (არაბ.), მუსლიმანთა წმინდა წიგნის — *ყურანის* ცალკეული თავი; ს. შედგება სალექსო სტრიქონებისაგან — აიებისაგან (არაბ. ნიშანი, სასწაული). სულ ყურანში არის 114 სხვადასხვა ზომის (3-იდან 286 აიამდე) ს. ყოველი ს-ის სათაური მომდინარეობს ან პირველი სიტყვიდან, რ-ითაც იწყება ესა თუ ის თავი, ან ძირითადი ამბისა და გმირის სახელიდან. *ე. სიხარულიძე.*

სურა, ლიტრა, ყელიანი დოქი, კოკურა, წყლისათვის განკუთვნილი, მრგვალმუცლიანი, ყელმაღალი და პირმრგვალი თიხის ჭურჭელი. ძირითადად უმცროსა, გვხვდება ერთყურიანი და ორყურიანიც. საქართვ. კერამ. წარმოების ცენტრებში მზადდება სადა, მოწერნაქებული და ამოღარული ხაზებით დამშვენებული ს-ები; გვხვდება აგრეთვე ზეთის საღებავით შეღებილი ან მოჭიქული, შემკული გეომ. ორნამენტით. თავდაპირველი დანიშნულებით საღვინე ჭურჭელი იყო. მზადდებოდა ვერცხლისა და სპილენძისაგან. სახელწ. „ს.“ არაბ. წარმოშობისაა. ქართ. წერილობით წყაროებში იხსენიება XVI ს-იდან. *მ. ზანდუკელი.*

სურა, მდინარე რსფსრ ულიანოვსკის, პენზის, გორკის ოლქების, მორდვეთის, ჩუვაშეთისა და მარეთის ასსრ-ების ტერიტორიაზე. ვოლგის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 841 *კმ*, აუზის ფართ. 67500 *კმ*². სათავე აქვს ვოლგისპირა მაღლობზე. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის აპრ.-მაისში. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან 260 $მ^3/წმ$, მაქს. — 7240 $მ^3/წმ$, მინ. —10,5 $მ^3/წმ$. იყინება ნოემბ.-დეკ.-ში, ყინულბზარა მარტ.-აპრ.-შია. სანაოსნოა ქვემოთში. ხეტყის დაცურება. იყენებენ სამრეწვ. წყალმომარაგებისათვის. ს-ის ნაპირზეა ქ-ები: სურსკი, პენზა, ალათირი, იადრინი, შესართავთან — ნავსადგური ვასილსურსკი. ტურიზმი.

სურაბაია (Surabaja), ქალაქი ინდონეზიაში (სიდიდით მეორე — დედაქალაქ ჯაკარტის შემდეგ). აღმ. იავის პროვ. ადმ. ცენტრი. გაშენებულია მდ. ბრანტასის ერთ-ერთ ტოტზე, მადურის სრუტესთან. 2 მლნ. მცხ. (1980). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი, ნავსადგური. ბორნით უკავშირდება კ. მადურას. ს. ქვეყნის ლითონდასამუშ. და მანქანათსაშ. მრეწვ. დიდი ცენტრია. არის აგრეთვე ნავთობგადასამუშ., ქიმ., მინის, კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ხის დასამუშ., ცემენტის მრეწვ. საწარმოები. უნ-ტი.

დაარსების თარიღი უცნობია. 1019 ს-ის რ-ნში *მატარამის* მაჰარაჯამ ერლანგამ დააარსა აღმ. იავის დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1706 ს-ს დაეუფლნენ ჰოლანდ. კოლონიზატორები. ინდონეზ. რესპ. წინააღმდეგ ნიდერლანდის კოლონ. ომის პერიოდში, 1945, ს. ხელთ იგდეს ინგლ. ჯარებმა.

სურავანდი, იხ. *სკორბუტი.*

სურათი, ფერწერული ნაწარმოები. დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობის, დამთავრებული ხასიათის მქონე ნახატი. ს-ის შემადგენელი ნაწილებია: საფუძველი (ტილო, ხე ან ლითონის დაფა, მუყაო, ქაღალდი), გრუნტი და ფერადოვანი ფენა. ს. დაზგური ხელოვნ. ერთ-ერთი ტიპური სახეობაა.

სურათი, 1. პიესაში აქტის დამთავრებული ნაწილი. დრამ., საოპერო, საბალეტო სპექტაკლებში ს. გამოიყოფა ერთმანეთისაგან მოკლე შესვენებით, რ-ის დროს მაყურებელი რჩება ადგილზე, ხოლო სცენაზე ხდება დეკორაციის სწრაფი შეცვლა, ან რჩება იგივე დეკორაცია. 2. სინამდვილის რომელიმე მხარის მოკლე ლიტ. ჩანახატი (მაგ., ვაჟა-ფშაველას „სოფლის სურათი“); „ს-ს“ ზოგჯერ კინოფილმსაც უწოდებენ.

სურაკარტა, სოლო (Surakarta, Solo), ქალაქი ინდონეზიაში, კ. იავაზე, მდ. სოლოს ერთ-ერთი შენაკადის ნაპირზე, ცენტრ. იავის პროვინციაში. 470 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. შინამრეწველური წარმოების დიდი ცენტრი. კვების და საფეიქრო მრეწველობა.


სურაკარტა, სოლო (Surakarta, Solo) სასულთნო კ. იავაზე (ინდონეზია) 1743—1950. 1812-იდან ჰოლანდ. კოლონიზატორთა გამგებლობაში იყო. 1942—45 იაპ. ჯარებმა მიიტაცეს. 1945-იდან არის ინდონეზიის რესპ. შემადგენლობაში. 1950 მისი ტერიტ. შეუიდა ცენტრ. იავის პროვინციაში.

სურამელაშვილი გრიგოლ თედორეს ძე (დ. 10. II. 1915, სოფ. ძეგვი, ჩხეთის რ-ნი), საბჭოთა კავშირის გმირი (29. IX. 1944), ეფრეიტორი. სკკპ წევრი 1941-იდან. 1930—39 მუშაობდა სოფ. ძეგვის კოლ-ბაში, შემდეგ მტს-ში ბრიგადირად. 1939—45 იყო საბჭ. არმიის რიგებში. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იბრძოდა ვორონეჟის, ცენტრ. და უკრ. 1 ფრონტებზე. პადეჟის რ-ნში (პოლონეთი) გამართულ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 1953-იდან მუშაობს ამიერკავკ. რკინიგზის თბილ. სავაგონო დეპოში. არის სსრკ კავშირის საპატიო რკინიგზელი (1975). დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და 2 სხვა ორდენით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

სურამელები, დიდ ფეოდალთა საგვარეულო XII—XIV სს. საქართველოში. სახელწ. წარმოდგება მათი საგვარეულო მამულიდან — სურამი (ხაშურის რ-ნი). ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ს-ის წინაპრები იყვნენ ფავნელები — ქართლის დიდი აზნაურები. ს-ის სახლის თავადები (ე. ი. ამ საგვარეულოს უფროსები) XII ს. 70-იანი წწ. ბოლოდან იყვნენ ერისთავთერისთავები და ქართლის ერისთავები, ხოლო XIII ს. 40-იანი წლებიდან XIV ს. პირველ მეოთხედამდე ქართლის ერისთავობასთან ერთად — საქართვ. მეფის მსახურთუხუცესებიც. ს-ის სახლი XIII ს. შუა წლებში დაუნათესავდა ქართლისა და ჯავახეთის დიდ ფეოდალთა — *თორელების* სახლს, ხოლო XIII ს. II ნახევარში — დას. საქართვ. დიდ ფეოდ. საგვარეულოს — *ვარდანისძეებს*. მონღოლთა ბატონობის ხანაში ს. აქტიურად მონაწილეობდნენ საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში. უმეფობის ხანაში, როცა მონღოლებმა ღუმნებად დაყვეს საქართველო (XIII ს. 40-იანი წწ.), ქართლის დუმნის თავად გრიგოლ სურამელი დანიშნეს. XIV ს. I მეოთხედის შემდეგ ეს საგვარეულო ისტ. წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჟამთა-აღმწერელი, იქვე; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1966; საისტორიო მოამბე, წგნ. 1, ტფ., 1924. *ნ. შოშიაშვილი.*


სურამელი ბეგა I, XII ს. II ნახევარში მოღვაწე ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი. ისტ. წყაროებით, სურამელთა გვარის ყველაზე ადრინდ. წარმომადგენელი. თან ახლდა გიორგი III-ს ანისთან თურქთა სულთან არდოხის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლაშა გიორგის ერთი



სუპერჰეტეროდინული რადიომიმღების სიხშირის ერთჯერადი გარდაქმნის სუპერჰეტეროდინული რადიომიმღების სქემა: 1—შესაყალი წრედი; 2—რადიოსიხშირის მაძლიერებელი; 3—შემრევი; 4—ჰეტეროდინი; 5—შუალედი სიხშირის მაძლიერებელი; 6—დეტექტორი; 7—დაბალი (ბგერითი) სიხშირის მაძლიერებელი; 8—ხმამაღლამოლაპარაკე; სიხშირეები: $f_ს$—სიგნალისა, $f_ვ$—ჰეტეროდინისა; $f_შ$—შუალედი. $f_{დს}$—დაბალი; ან—ანტენა.



ს. სუპრუნი.




სურა. ქართლი. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სიგელის ცნობით, მისთვის გიორგი III-ს უწყალობებია ქართლის სოფელი სუელნეთი. ს-ის ვაჟი იყო ქართლის ერისთავი რატი. *ნ. შოშიაშვილი.*

სურამელი ბეგა II (დაახლ. 1225 — XIII ს. ბოლო), ქართველი დიდი ფეოდალი, ერისთავთერისთავი, ქართლის ერისთავი. საქართველოს მეფეების: დავით VI ნარინის, დავით VII ულუს, დემეტრე II-ისა და დავით VIII-ის კარის მოხელე-ვაზირი, მსახურთუხუცესი, გრიგოლ სურამელის ძე. ს. იყო თანმეზრდილი უფლისწულ დავით რუსუდანისძისა, რ-საც 1242/43 სხვა ქართველებთან ერთად გაჰყვა ურდოში (ჯერ ბათო-ყაენთან, ხოლო იქიდან — ყარაყორუმში, დიდ ყაენთან). საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ორმეფობის დროს (1247—59), ბეგა თავის მამასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში. 1259 დას. საქართველოში გაჰყვა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ დავით VI-ს. დაახლ. 1260, მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ის დაბრუნდა აღმ. საქართველოში, შეურიგდა მონღოლებს და მიიღო ულუ დავითისაგან მამის ორივე სახელო: ქართლის ერისთავობა და მსახურთუხუცესობა. ამ სახელოებს ის ფლობდა სიკვდილამდე (შემდეგ ასინი ებოძა მის უფროს ვაჟს ჰამადას). ჟამთააღმწერლის ცნობით, მონღოლები ბეგას უწოდებდნენ „სალინბეგს“, ე. ი. კარგ ბეგას.

ბეგას ასული ხუაშაქი იყო ლიხთიმერეთის მანდატურთუხუცეს გიორგი დადიანის მეუღლე. ხუაშაქი და მისი მეუღლე იხსენიებიან მარტვილის ხატის წარწერაში. ბეგას ვაჟები ჰამაჯა, რატი, მიქელი, დემეტრე II-ისა და დავით XIII-ის დროის აქტ. პოლიტ. მოღვაწეები იყვნენ. იხ. *სურამელი რატი, სურამელი ჰამადა.* *ნ. შოშიაშვილი.*



სურა. ქართლი. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სურამელი გრიგოლ, XIII ს. 40—60-იანი წლების მოღვაწე ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი, ქართლის ერისთავ სულა *სურამელის* ძე. მეფეების: რუსუდანისა და დავით VII ულუს კარის მოხელე, მსახურთუხუცესი 40-იანი წწ. ბოლოდან, ვარამ *გაგელის* გარდაცვალების შემდეგ. უმეფობის ხანაში (1245—47) მონღოლებმა ს. ერთ-ერთი დუმნის — ქართლის გამგებლად დანიშნეს. ალამუთის წინააღმდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს (მონღოლთა ლაშქრობები *ასასინების* წინააღმდეგ) მან, ჟამთააღმწერლის ცნობით, გონივრული რჩევით დაღუპვას გადაარჩინა ქართველები. მონაწილეობდა *ეგარსლან ბაკურციხელის* მოწინააღმდეგე დიდებულთა შეკრებაში, სადაც გადაწყდა რუმიდან ულუ დავითის ჩამოყვანა. ს-მა, ისევე როგორც დიდებულთა ერთმა ჯგუფმა, მხარი არ დაუჭირა დავით ულუს აჯანყებას მონღოლთა წინააღმდეგ და მონღოლებს ეახლა ეგვიპტეში სალაშქროდ (1260).

გრიგოლის ვაჟი იყო ქართლის ერისთავი, მსახურთუხუცესი ბეგა *სურამელი*, ასული — ხათუთა, მეუღლე კახა *თორელისა.* *ნ. შოშიაშვილი.*

სურამელი რატი I, XII ს. II ნახევრისა და XIII ს. დასაწყისის ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი, შვილი ბეგა I *სურამელისა* და *ხუაშაქ ცოქალისა*. დემნა უფლისწულის აჯანყების შემდეგ გიორგი III-მ ქართლის ერისთავობა ჩამოართვა ამ აჯანყების მონაწილე ლიპარიტ სუმბატის ძე *ორბელს* და გადასცა რატი ს-ს. ამის შემდეგ სურამელები გახდნენ ერისთავთერისთავები, ქართლის



გ. სურამელაშვილი.



ფ. სურბარანი. „მადონას ყრმობა“. დაახლოებით 1660. ერმიტაჟი. ლენინგრადი.



ა. სურგულაძე.



ირ. სურგულაძე.

ერისთავები. გიორგი III-ის 1170 სიგელის ცნობით, ს-ს მღვიმის მონასტრისათვის შეუწირავს სოფ. კობალი. მისი ვაჟი იყო ქართლის ერისთავი სულა.

ნ. შოშიაშვილი.

სურამელი რატი II, ქართველი დიდი ფეოდალი XIII—XIV სს. მიჯნაზე, ბეგა სურამელის ძე. ს. თან ახლდა საქართველოს მეფეს — დემეტრე II თავდადებულს მონღოლთა ლაშქრობებში და არაერთხელ გამოიჩინა თავი, როგორც კარგმა სარდალმა და გმირმა მებრძოლმა.

ნ. შოშიაშვილი.

სურამელი სულა, XIII ს. I მეოთხედში მოღვაწე ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი. ქართლის ერისთავ რატი *სურამელის* ძე. მამის შემდეგ თვით გახდა ქართლის ერისთავი. ლაშა-გიორგის სიგელის ცნობით, ქვათახევის მონასტერს შესწირა სოფ. სულნეთი. მისი ვაჟი იყო ქართლის ერისთავი და მსახურთუხუცესი გრიგოლ *სურამელი.*

ნ. შოშიაშვილი.

სურამელი ჰამადა, ა ჰ მ ა დ ა, ქართველი დიდი ფეოდალი XIII—XIV სს. მიჯნაზე, ბეგა სურამელის ძე. საქართველოს მეფის დავით VIII-ის დაახლოებული პირი, მისი ვაზირი-მსახურთუხუცესი, ქართლის ერისთავი. ს-ის ასული ცოლად შეირთო დავით VIII-მ. მას შემდეგ, რაც დედოფალი ოლჯათი აღარ დააბრუნეს ურდოდან. ჰამადას შემდეგ, როგორც ჩანს, სურამელთა საგვარეულო დაემცრო და აღარ იხსენიება წყაროებში.

ნ. შოშიაშვილი.

სურამი, დაბა (1926-იდან) ხაშურის რ-ნში, ლიხის ქედის აღმ. კალთის ძირას, მდ. სურამულის ნაპირებზე. სადაბო საბჭოს ცენტრი (შედის ს., სოფლები: ბიჟნისი, ბუღაურა, გეერდისუბანი, დიდი ბეკამი, ზეკოტა, იტრია, პატარა ბეკამი, ურთხვა, ჩუმათელეთი). ზ. დ. 740 *მ*, ხაშურიდან 5 *კმ*. ხაშურთან დაკავშირებულია რკინიგზის ტოტით. ამ ადგილებში ადამიანს ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია. XII ს-ში ფეოდ. ქალაქია. XII—XIII სს-ში ქართლის ერისთავთა რეზიდენცია იყო (აქედანვეა მათი ზედწოდება სურამელი). შუა საუკუნეებში ბლიერ ციხესიმაგრედ ითვლებოდა (იხ. *სურამის ციხე*). ს-ში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები უკრ. პოეტმა ლესია *უკრაინკამ*.

ს-ში არის ღვინის ქ-ნა, კოლ-ბა (მეღვინეობა, მეცხოველეობა), პროფტექ. სასწავლებელი, 3 საშ., საღამოს (ცვლიანი) და სამუსიკო სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტსახლი, კინოთეატრი, 3 ბ-კა, ლესია უკრაინკას ბ-კა-მუზეუმი, 3 საავადმყოფო (ბავშვთა, ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური, ფსიქონევროლოგიური), პოლიკლინიკა, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ს. რესპ. მნიშვნელობის კლიმ. კურორტია. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპრა —2°C), თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 20,2°C); ნალექები 700 *მმ*, მზის ნათების ხანგრძლივობა 2 300 *სთ* წელიწადში. სამკურნ. ფაქტორი: ჰავა და სუსტი სულფიდური ჰიდროკარბონატული მაგნიუმიან-კალციუმიანი, დაბალი მინერალიზაციის (0,6 *გ/ლ*) მინერ. წყალი, რ-საც იყენებენ სასმრების, პერიფერიული ნერვული სისტემის და სუნთქვის ორგანოთა არასპეც. დაავადებების სამკურნალოდ. არის მოზრდილთა და ბავშვთა სანატორიუმები.

სურამის გვირაბი, სარკინიგზო გვირაბი ლიხის (სურამის) ქედში. სიგრძე 3988 *მ*. გვირაბის გაყვანისათვის საძიებო მუშაობას ატარებდა ჯერ ინგლ. ინჟ. გაბი, შემდეგ რუსი ინჟინრები. გვირაბის გაყვანამ (მშენებლობა დაიწყო 1886 და დამთავრდა 1890) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რკინიგზის ტრანსპორტის მაჩვენებლები, გააადვილა დას. და აღმ. ამიერკავკასიას შორის კავშირურთიერთობა.

რ. კვერენჩხილაძე.

სურამის უღელტეხილი, უღელტეხილი ლიხის ქედის სამხრ.-დას. დადაბლებულ ნაწილში. სიმაღლე 948 *მ*. ს. უ-ის მიდამოები აგებულია პალეოზოური კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით, აგრეთვე მეზოზოური ასაკის ფიქლებითა და კირქვებით. უღელტეხილზე გადადის საავტ. გზა მდ. სურამულის აუზიდან მდ. ჩხერიმელის აუზში. შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით.

დ. ტაბიძე.

სურამის ქედი, იხ. *ლიხის ქედი.*

სურამის ციხე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე ქართლში, ახლანდ. ხაშურის რ-ნის დაბა სურამის თავზე. ციხის აგების თარიღი არ არის ცნობილი, ფეოდ. ქალაქი სურამი კი XII ს-იდან არსებობს. XVII ს. I მეოთხედში ირანის აგრესიის პირობებში გიორგი *სააკაძემ* ქართლის სხვა ციხეებთან ერთად ს. ც-ც გაამაგრა. შემდგომში ერთხანს ს. ც. ოსმალთა ხელში იყო. XVIII ს. 40-იან წლებში ს. ც. ირან. ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის გამგებლის — გივი *ამილახვარის* ძირითადი დასაყრდენი იყო; 1745 გივი ამილახვარი დანებდა *თეიმურაზ II-ს* და ს. ც. დაანგრიეს. მალე იგი კვლავ აღადგინეს. XVIII ს. 70-იან წლებში ს. ც. ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედი ქართველებისა და რუსების ჯარის საყრდენი სიმაგრე იყო. მან შემდგომშიც შეინარჩუნა მნიშვნელობა: XIX ს. დასაწყისში დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმების დროს მას თავს აფარებდა მახლობელი მოსახლეობა.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., სამშობლოს გუშაგები, თბ., 1965.

ჯ. გვასალია.

სურამულა, მდინარე ხაშურის რ-ნში, მტკვრის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1200 *მ*-ზე. სიგრძე 42 *კმ*, აუზის ფართ. 719 *კმ²*. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები — შემოდგომაზე, წყალმცირობა — ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 12,5 *მ³/წმ*. იყენებენ სარწყავად.

ი. აფხაზავა.

სურატი, ქალაქი ინდოეთში, გუჯარათის შტატში, არაბ. ზღვის სანაპიროზე, მდ. ტაპტის შესართავში. 913 ათ. მცხ. (1981). ნავსადგური და სარკინიგზო კვანძი. შინამრეწველური წარმოების ცენტრი. საფეიქრო, კვების, ქალალდის მრეწვ. საწარმოები. ს-ში 1613 დაარსდა ინდოეთში პირველი ინგლ. სავაჭრო ფაქტორია.

სურბარანი (Zurbarán) ფრანსისკო (მოინათლა 7. XI. 1598, ფუენტე-დე-კანტოსი, ბადახოსი, — 27. XIII. 1664, მადრიდი), ესპანელი ფერმწერი. სწავლობდა სევილიაში პ. დე ვილიანუევასთან (1614-იდან). ცხოვრობდა და მუშაობდა ლიერენაში (ბადახოსი, 1617—28), 1628-იდან სევილიაში ს. ძირითადად ქმნიდა კომპოზიციებს წმინდანთა ცხოვრებაზე („წმ. ბონავენტურას ლოცვა პაპ გრიგოლ X-ის არჩევისას“, 1629, სურათების გალერეა, დრეზდენი). ს-ის ადრინდ. ნამუშევრებში შეიმჩნევა *კარავაჯოს* გავლენა (წმ. პეტრეს ტაძრის კაპელის რეტაბლო, სევილია, 1625). შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში (1630—40-იანი წწ.) ს. ქმნიდა მკაცრ, მონუმ. და ლაკონიურ სურათებს. 1650-იანი წწ. ნამუშევრები გამოირჩევა ემოციური დაძაბულობით („ჯვარცმა“, 1660-იანი წწ. დასაწყ. ერმიტაჟი, ლენინგრადი). რელიგ. კომპოზიციებს გარდა ს. ქმნიდა აგრეთვე მითოლ. სცენებს, პორტრეტებს, ნატიურმორტებს.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 401.

სურგულაძე აკაკი ნესტორის ძე (დ. 24. VI. 1913, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ხარაგაულის რ-ნი), ქართველი საბჭ. ისტორიკოსი. საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974), ისტ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი, მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1943-იდან. 1953—57, 1972—76 თსუ -ის ისტ. ფაკ-ტის დეკანი, 1958-იდან — სსრკ ისტ. კათედრის გამგე. 1965-იდან საქ. სსრ მეცნ. აკად. ჯავახიშვილის სახ. ისტ. არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ძირითადად იკვლევს XIX—XX სს. საქართვ. და ამიერკავკ. საზ. აზრის განვითარების, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის, ერისა და ქართვ. ხალხის ეროვნ. კონსოლიდაციის პრობლემებს, ქართვ. ინტელიგენციის ჩამოყალიბების, ქართ. კულტ. საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალ. რევ. გამოკვლევების საკითხებს. ს. საქართველოს ისტორიის ნარკვევების 8-ტომეულის VI ტომის რედაქტორი და ძირითადი ავტორია, რისთვისაც მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია (1982).

თხზ.: ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.), თბ., 1957; ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970; ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977; ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976 (ქართ., რუს., ინგლ. ენებზე); ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980; ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968; რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973; რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში, თბ., 1966; სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918—1921 წწ.)» [ტ. 2, თბ., 1961; ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, თბ., 1973; Очерки по истории грузинской культуры XIX в., Тб., 1980.

გ. მეტრეველი.

სურგულაძე ივანე იულოსის ძე [დ. 1 (14). X. 1903, სოფ. ჭანიეთი, ოზურგეთის მაზრა, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 10. X. 1983, თბილისი], ქართველი მეცნიერი, იურისტი, სამართლის ისტორიკოსი. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1963). 1928 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი. 1942-იდან მუშაობდა თსუ-ში, 1947-იდან იყო სახელმწ. და სამართ. ისტ. კათედრის გამგე. იკვლევდა საქართვ. სახელმწიფოსა და სამართლის და პოლიტ. მოძღვრებათა ისტ. საკითხებს. ძირითადი ნაშრომები: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბ., 1952; „იოანე ბაგრატიონის სჯულდება“, თბ., 1957; „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოს» და სამართლის ისტორიიდან“, 1—2, თბ., 1963—65; „ქართული სამართლის ძეგლები, 1. კელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი, თბ., 1970, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (რუს. ენაზე, 1967), გამოიცა აგრეთვე სერბ. ენაზე (ბელგრადი, 1971) და სხვ.

სურგულაძე იროდიონ აპოლონის ძე [16 (29). V. 1892, სოფ. ხვანჭკარა, რაჭის მაზრა, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი, — 22. XI. 1945, თბილისი], ქართველი მეცნიერი, იურისტი, სახელმწიფოსა და სამართ. თეორიის და სამართ. ისტ. სპეციალისტი. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1927), პროფესორი (1930), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1918 დაამთავრა იურიევის (ახლანდ. ტარტუს) უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი, სადაც დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. სტუდენტობის დროს დაწერილი ნაშრომისათვის „სამართლის ფილოსოფიური წანამძღვრები“ მიიღო პრემია — ოქროს მედალი. 1923-იდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში სახელმწ. სამართ. და ადმ. სამართ. დარგში. 1927 დაიცვა დისერტაცია იურიდ. მეცნ. დოქტორის ხარისხის

მოსაპოვებლად („ხელისუფლება და სამართალი"). ეს იყო სამართ. დარგში თსუ-ში დაცული პირველი დისერტაცია. ს. იყო თსუ-ის სამართ. ისტ. და სამოქალაქო სამართლის გაერთ. კათედრის გამგე (1927—30), 1930—33—საბჭ. აღმშენებლობისა და სამართ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1933—37 — თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტის დეკანი, შემდეგ — სამართ. ისტ. კათედრის გამგე.

თხზ.: Gewalt und Recht (ხელისუფლება და სამართალი), ტფ., 1925; იურიდიული მეთოდოლოგიისათვის, «მნათობი», 1928, № 10; საგვარეულო წყობილების ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ეგვიპტურ ენაში, «სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე», 1940, ტ. 1, №8, 10; 1941, ტ. 2, №3; „ბეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის», «ენიმკის მოამბე», 1943, [ტ.] 13. *ე. მაყაშვილი.*

სურგულაძე სერგო კონსტანტინეს ძე [7. III. 1879. სოფ. ასკანა, ოზურგეთის მაზრა, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 10. VII. 1923, თიანეთი], რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. ციმბირში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლების ერთ-ერთი ორგანიზატორი. კომპარტიის წევრი 1906-იდან. აქტ. მონაწილეობას ღებულობდა გურიის გლეხობის რევ. გამოსვლებში (1905), შემდეგ სამტრედიის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში. არაერთხელ იყო პატიმრობაში. 1917 იბრძოდა სოციალ. რევ. გამარჯვებისათვის, ხოლო შემდეგ დაუღალავად იღვწოდა საბჭ. ხელისუფლების განმტკიცებისათვის. სამოქალაქო ომის დროს პარტიზანული რაზმების ერთ-ერთი მეთაური იყო ციმბირში. 1919 მარტში პარტიზ. არმიის I ყრილობაზე აირჩიეს არმიის საბჭოს თავ-რედ, არჩეული იყო აგრეთვე სამხ. სასამართლოს თავ-რედ. სამოქალაქო ომის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე; მონაწილეობდა ციმბირში საბჭ. ხელისუფლების პოლიტ. და სამეურნეო ღონისძიებათა გატარებაში. 1921 მარტში ს. საქართველოში დაბრუნდა. იყო თიანეთის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის თავ-რე, სადაც გმირულად დაიღუპა კონტრრევ. ბანდის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. *ს. კვაჭაძე.*

სურგუტი, ქალაქი (1965-იდან) რსფსრ ტიუმენის ოლქში, ხანტი-მანსის ავტონ. ოკრუგში. სურგუტის რ-ნის ცენტრი. 1975 სარკინიგზო ხაზით შეუერთდა ქ. ტიუმენს. ნავსადგური მდ. ობის მარჯვ. ნაპირზე. 175 ათ. მცხ. (1983). დაარსდა 1593 წ. 1782-იდან ტობოლის სამეფისნაცვლოს ქალაქი იყო, 1868-იდან —(ტობოლის გუბ.) საოლქო ქალაქი, 1898-იდან— სამაზრო ცენტრი. ახლანდ. ს. ნავთობმოპოვებითი მრეწვ. დიდი ცენტრია. სრეში, სახლთსაშენებელი კომბინატი, სატყეო მეურნეობა, თევზკომბინატი. ტიუმენის ინდუსტრ. ინ-ტის ფილიალი, ნავთობის ტექნიკუმი, სამუსიკო სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სურდასი (დაახლ. 1483, სოფ. სიპინი, დელის მახლობლად, — დაახლ. 1563, სოფ. პარასოლი, მათურის რ-ნი), ინდოელი პოეტი. ჰინდი ენაზე ლირ. პოეზიის ფუძემდებელი. წერდა ბრაჯის დიალექტზე. სას. პირი იყო, მთელი ცხოვრება კრიშნას ტაძარში გაატარა. მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „საგალობელთა ზღვა" („სურ-საგარი"), რ-შიც თავმოყრილია საგალობლები, სიმღერები, ლირ. ლექსები, თქმულებები, რელიგ. ფილოს. მსჯელობანი, რ-ებსაც აერთიანებს კრიშნას ქებათაქება. რელიგ. საგალობლებისათვის (ვინაი) თვითონვე თხზავდა მუსიკას და მღეროდა. ს-ის პოეზიამ გავლენა მოახდინა შუა საუკ. ინდ. პოეზიაზე. მის სიმღერებს დღესაც მღერიან ინდოეთში.

ლიტ.: Цветков Ю. В., Сурдас и его поэзия, М., 1979.

სურდო, რინიტი, ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება. შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დაავადება, ანდა ზემო სასუნთქი გზების მწვავე კატარის, გრიპისა და სხვა ინფექციური დაავადების სიმპტომი. როგორც დამოუკიდებელი დაავადება, მწვავე ს. ჩვეულებრივ ემართებათ ცივ ამინდში. იწვევენ მიკრობები (სტრეპტოკოკი, სტაფილოკოკი, პნევმოკოკი) და ვირუსები. როგორც წესი, მწვავე ს. გამოჯანსაღებით მთავრდება და გართულებებიც (ცხვირის დანამატი წიაღების, შუაყურის ანთება და სხვ.) იშვიათია. ქრონიკული ს. ვითარდება მწვავე ს-ს მრავალჯერ გადატანის შემდეგ. ახასიათებს ცხვირიდან მუდმივი და სქელი გამონადენი, ცხვირით სუნთქვის დარღვევა, ყნოსვის დაქვეითება ან სრული დაკარგვა და სხვ. ს-ს განსაკუთრებული ფორმაა ალერგიული ს., რაც *ალერგიის* ადგილ. გამოვლენაა (მაგ., „თივის", ს.), მიმდინარეობს შეტევებით, რ-ებიც ვლინდება ცხვირში ღიტინის და მოჭერის შეგრძნებით, ხშირი ცხვირის ცემინებით, ცხვირიდან უხვი წყლიანი გამონადენით, ცრემლის დენით და სხვ. მკურნალობა: მწვავე ს-ს დროს ოფლმდენი საშუალებანი (ჟოლოიანი ჩაი), ტემპ-რის აწევისას — აცეტილსალიცილმჟავა, ამიდოპირინი; ცხვირით სუნთქვის გასაადვილებლად ცხვირში 1% მენთოლის ზეთის, 1—3% ეფედრინის ხსნარის და სხვათა ჩაწვეთება; ქრონ. ს-ს დროს — ფიზიოთერაპიული პროცედურები, წვეთები ცხვირში და სხვ.; ალერგიული ს-ს შემთხვევაში — ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებანი; ალერგენის გამოვლენა და ლიკვიდაცია. პროფილაქტიკა: ორგანიზმის გაკაჟება; განმეორებით მწვავე ს-ს გამომწვევი მიზეზის თავიდან აცილება.

სურდოკამერა (ლათ. surdus — ყრუ და *კამერა*) კოსმონავტიკაში, სათავსი, რ-საც აქვს სუსტი ხელოვნური განათება და ბგერათშეუღწევი კედლები. ს-ში კოსმონავტობის კანდიდატები მარტოობაში ატარებენ მრავალ საათს. გარეშე გამღიზიანებლებისაგან (მომუშავე ძრავას ხმაური და სხვ.) იზოლაციის რეაქციას საზღვრავენ ვიზუალურად ან ტელემეტრიული აპარატურით. ს. კოსმ. ფრენის ზოგიერთი პირობის იმიტაციის საშუალებას იძლევა.

სურდოპედაგოგიკა (ლათ. surdus—ყრუ და *პედაგოგიკა*), დეფექტოლოგიის დარგი, რ-იც ამუშავებს ყრუ და სმენადარღვეული ბავშვების აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრობლემებს. საბჭ. ს. ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური პედ. ძირითად პრინციპებს. ს-ის ძირითადი ამოცანებია ბავშვის შემორჩენილი სმენითი ფუნქციის მაქს. განვითარება და გამოყენება, მეტყველების (ზეპირი, წერითი) ფორმირება. სიტყვიერ-ლოგიკური აზროვნების განვითარება. ს. ეყრდნობა ოტორინოლარინგოლოგიის, აკუსტიკის, ფსიქოლ., ენათმეცნ., ლოგოპედიის, კომუნიკაციის თეორიის და სხვ. მონაცემებს. სწავლებისათვის იყენებს *სურდოტექნიკას*. სსრკ-ში ს-ის ცენტრია პედ. მეცნ. აკად. დეფექტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (მოსკოვი). საქართველოში ს-ის პრობლემებს ამუშავებენ ი. გოგებაშვილის სახ. პედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში.

სურდოტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობის დარგი, რ-იც ამუშავებს და უშვებს სმენისა და მეტყველების დეფექტების კომპენსაციისა და კორექციის საშუალებებს; ტექ. საშუალებათა ერთობლიობა ასეთი კომპენსაციისა და კორექციისათვის (სმენითი აპარატი, ხელსაწყოები, სადაც სიტყვა იქცევა ვიზუალურ სიგნალად, სხვადასხვა მოწყობილობა ტელეფონისათვის და სხვ.).

სურდოფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის სპეციალური დარგი; შეისწავლის ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანის ფსიქიკურ განვითარებას; ადგენს რა გავლენას ახდენს სიყრუე ადამიანის ფსიქ. განვითარებაზე.

საქართველოში დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე შესწავლილია ყრუ ბავშვების განწყობის სტრუქტურისა და ობიექტივაციის თავისებურება, მათი პიროვნების განვითარების დინამიკა, ვერბალური მეტყველების განვითარების კანონზომიერება სკოლაში მეტყველების სწავლების შედეგად. ამის საფუძველზე შემუშავებულია იმ სპეც. მეთოდების სისტემა, რ-თა საშუალებით შესაძლებელია დაძლეულ და კომპენსირებულ იქნეს ყრუ ბავშვთა ფსიქ. განვითარების ანომალია.

ლიტ.: ნორაკიძე ვ., ყრუ-მუნჯი ბავშვის სწავლა-აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, კრ.: პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწ. 1, თბ., 1962; მისივე, Особенности фиксированной установки глухонемого ребенка, კრ.: Экспериментальные исследования по психологии установки, т. 2, Тб., 1963; Боскис Р. М., Глухие и слабослышащие дети, М., 1963; Психология глухих детей, М., 1971; Шиф Ж. И., Усвоение языка и развитие мышления у глухих детей, М., 1968. *ელ. ბორაკიძე.*

სურები, ჩოხატაურის რ-ნის სოფლების *ზემო სურებისა* და *შუა სურების* ძვ. სახელწოდება.

სურვილის კონცხი, *ახალი მიწის* ჩრდილოეთი კუნძულის უკიდურესი ჩრდ.-აღს. დაბოლოება (ჩ. გ. 76°57′, ა. გ. 68°35′). წარმოადგენს დაახლ. 30 *მ* სიმაღლის ზღვაში შეჭრილ კლდოვან ფლატეს. სახელი უწოდა ვ. *ბარენცმა* 1596. კონცხის მახლობლად არის პოლარული სადგური.


სურიკოვი ვასილი ივანეს ძე [12 (24). I. 1848, კრასნოიარსკი, —6(19). III. 1916, მოსკოვი], რუსი ფერმწერი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ნ. წ. (1893). *ისტორიული ჟანრის* თვალსაჩინო წარმომადგენელი. ხატვას დაეუფლა მშობლიურ ქალაქში, მხატვარ ნ. გრებნევთან. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1869—75), იყო პ. ჩისტიაკოვის მოწაფე. 1877 დასახლდა მოსკოვში. რუს მხატვართა კავშირისა და *„პერედვიჟნიკების"* (1881-იდან) ამხანაგობის წევრი. ბევრს მოგზაურობდა. ს-ის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა „პერედვიჟნიკების" დემოკრ. რეალიზმის ნიადაგზე. 1880-იან წლებში შექმნა მონუმ. ტილოები: „სტრელცთა დასჯის დილა" (1881), „მენშიკოვი ბერიოზოვოში" (1883) „ბოიარინია მოროზოვა" (1887, — სამივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). მშობლიური ქვეყნის ისტ. საფუძვლიანი შესწავლის შედეგად შექმნილ ამ კომპოზიციებში წიწა პლანზე წამოწეულია ისტ. მამოძრავებელი ძალა და ხალხის მეამბოხე სული. ს-ის ნაწარმოებებში იგრძნობა პერსპექტიული და კომპოზ. აგების ოსტატობა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1888), ს-მა ხატვას თავი დაანება. იმოგზაურა ციმბირში (1889—90). ამ მოგზაურობამ გამოიყვანა მძიმე დეპრესიიდან და ს. დაუბრუნდა მხატვრობას. ამ პერიოდს მიეკუთვნება ტილო „თოვლის ქალაქის აღება" (1891, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). 90-იან წლებში შექმნა ჯანსაღი, სილაღით აღსავსე ოპტიმისტური ჰეროიკული სურათები („სუვოროვის გადასვლა ალპებზე", 1899, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). 1905—07 წლებში—„სტეფანე რაზინი" (ხატვა დაიწყო 1903-იდან; რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). ს-მა, პირველმა თავის ტილოებში, მიანიჭა ხალხის მასებს ისტორიულად განმსაზღვრელი, მამოძრავებე-



ვ. სურიკოვი. აეტოპორტრეტი. 1913. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



ვ. სურიკოვი. „ბოიარინია მოროზოვას თავი". ეტიუდი სურათისათვის „ბოიარინია მოროზოვა". 1886. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



სურინამის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ლი როლი და ამით დასაბამი მისცა ახ. ეტაპს მსოფლიო ისტ. ფერწერაში. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია საბჭ. მოხუმ. მხატვრობის განვითარებაზე. ს-ის სახელი მიენიჭა მოსკ. სამხატვრო ინ-ტს, კრასნოიარსკში გაიხსნა ს-ის სახლ-მუზეუმი და დაიდგა მისი ძეგლი (მოქანდაკე ლ. ეიდლინი, ბრინჯაო, გრანიტი, 1954).


ლიტ.: Гольдштейн С. Н., В. И. Суриков, М., 1941; Ведюхинов И. В., В. И. Суриков, М., 1940; Никольский В. А., Творческие процессы В. И. Сурикова, М., 1934.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 496.

სურინამი (Suriname), სურინამის რესპუბლიკა (Republiek Suriname), სახელმწიფო სამხრ. ამერიკის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ატლანტის ოკ. სანაპირო-ზე. ფართ. 163,3 ათ. კმ². მოსახლ. 393 ათ. კაცი (1982, შეფასება). დედაქალაქი — პარამარიბო. ოფიც. ენა — ჰოლანდიური, ეროვნ. დღესასწაულია 25 თებ. — განთავისუფლებისა და განახლების დღე (1980). ფულის ერთეულია სურინამის გულდენი. 1,78 სურინამის გულდენი = 1 აშშ-ის დოლარს (1982). ადმინისტრაციულად ს. იყოფა 9 ოლქად.

ს. მდებარეობს გვიანის ზეგნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (სიმაღლე 1280 მ-მდე — მთა ვილჰელმინა). ჩრდ-ით ნაწილობრივ დაჭაობებული დაბლობია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ბოქსიტი, მანგანუმის მადანი და ოქრო. პავა სუბეკვატორულია, ცხელი და მუდმივნოტიო. საშ. თვიური ტემპ-რები 26—28°C. ნალექები 2300—3000 მმ წელიწადში. მთავარი მდებია: კორანტეინი, კოპენამე, სურინამი, მარონი. ჩრდ-ით სავანაა, ზეგანზე — ნოტიო მარადმწვანე ტყე. ნიადაგი უმთავრესად ლატერიტულია. ტყეს უჭირავს ქვეყნის ტერიტ. დაახლ. 90%. ტყეში ბინადრობენ: მაიმუნები, იაგუარი, პუმა, ტაპირი, სავანაში — ჭიანჭველაჭამია, ჯავშნოსნები, ირემი. მდ-ები მდიდარია თევზით, სანაპირო წყლები — გარნელით.

მოსახლ. ძირითადი ეთნ. ჯგუფები ინდოეთიდან არიან გადმოსახლებულები (35,3%). ცხოვრობენ აგრეთვე კრეოლები (29,1%), ინდონეზიელები (14,9%), ჩინელები (6,4%), ევროპელები (1,2%), ე. წ. ტყის ზანგები (გაქცეულ მონათა შთამომავლები) და ინდიელები (კარიბები და სხვ.) — 12,9%. კრეოლები ქრისტიანები არიან (კათოლიკეები, ლუთერანები და სხვ.), ინდონეზიელები — მუსლიმანები, ინდოელები — ინდუისტები.



ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 27% დასაქმებულია სოფ. მეურნეობასა და თევზჭერაში, 23%—მრეწველობასა და მშენებლობაში, დანარჩენი — მომსახურების სფეროში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 2,4 კაცი 1 კმ²-ზე (1982). მოსახლ. დაახლ. 90% თავმოყრილია სანაპირო ზოლში და დიდ მდინარეთა ხეობებში. მნიშვნელოვანი ქ-ებია პარამარიბო (დაახლ. 200 ათ. მცხ., 1983) და ნივ-ნიკერი.

XV ს. ბოლოს ს. ესპანელებმა იგდეს ხელთ, შემდგომ იქ მონაცვლეობით ჰოლანდიელები, ფრანგები და ინგლისელები ბატონობდნენ. საბოლოოდ, 1667, ს. ნიდერ. სამფლობელო გახდა. 1954 წ. 29 დეკ. ს. ავტონ. უფლებით ნიდერ. სამეფოს შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა ნიდერ. მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა. 1975 წ. 20 ნოემბ. ს-ის პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებელი ს-ის კონსტ. პროექტი. 1975 წ. 25 ნოემბ. გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა და კონსტიტუცია ძალაში შევიდა. 1980 წ. 25 თებ. ქვეყანაში სამხ. გადატრიალების შედეგად ხელისუფლება ხელთ იგდო ეროვნ. სამხ. საბჭომ (ესს). 1980 მარტში ესს-მ შეადგინა სამოქალაქო მთავრობა, რ-საც სათავეში ჩაუდგა ჰ. ჩინ ა სენი. 1980 აგვ. ესს-მ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და გაურკვეველი ვადით შეაჩერა კონსტ. მოქმედება. პარლამენტი დაითხოვეს. 1982 წ. 5 თებ. სამოქალაქო მთავრობა პრეზიდენტ ჰ. ჩინ ა სენის მეთაურობით გადადგა. მთელი ძალაუფლება ეროვნ. სამხ. საბჭოს ხელში გადავიდა. სამხ. მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რ-ის ძალითაც, პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავ-რე, ან მისი მოადგილე ინიშნებოდა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს უმაღლესი სასამართლოს თავ-რის მოადგილე ლ. ფრედ რამდატ მისირი. ეროვნ. საბჭოს თავ-რეა პოდპოლკ. დეზი ბოუტერსე.

ს. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყანაა. ეკონ. საფუძველია ბოქსიტის მოპოვება (327,3 ათ. ტ, 1982), რითაც ს. კაპიტალ. ქვეყნებს შორის III ადგილზეა. ბოქსიტის დაახლ. 90% გააქვთ აშშ-ში, დანარჩენს ამუშავებენ თიხამიწის ქ-ნებში. იღებენ ოქროს, აწარმოებენ ალუმინს (43 ათ. ტ, 1982). არის შაქრის, კარაქის, მარგარინის, გარნელის გადასამუშ., ხე-ტყის სახერხი და ხის დასამუშ. საწარმოები.

მთავარი სას.-სამ. კულტურაა ბრინჯი (244 ათ. ტ, 1981), მოჰყავთ აგრეთვე (ათ. ტ, 1981): შაქრის ლერწამი — 160, ბანანი — 42, ციტრუსები — 9. 1981 ს-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 45, ღორი — 22, ცხვარი — 2, თხა — 7, შინაური ფრინველი — 1,1 მლნ. ფრთა. ამზადებენ ხე-ტყეს (302 ათ. მ³, 1981), იჭერენ თევზს (2,2 ათ. ტ, 1980) და გარნელს (5,7 ათ. ტ, 1980).

რკინიგზის სიგრძეა დაახლ. 200 კმ, საავტ. გზებისა — 2,5 ათ. კმ (1980). მთავარი საზღვ. ნავსადგურებია: პარამარიბო და მუნგო.

1982 ექსპორტმა შეადგინა 428,6 მლნ. აშშ-ის დოლ., იმპორტმა — 464,5 მლნ. გააქვთ თიხამიწა, ბოქსიტი, ალუმინი, ხე-ტყე, ბრინჯი, გარნელი, ციტრუსები. შეაქვთ ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, საწვავი და საზეთი მასალა, მანქანა-მოწყობილობა, სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, ნიდერლანდი, ტრინიდადი და ტობაგო, გფრ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი.

ს-ში არის სკოლამდელი დაწესებულებები (უმეტესად კერძო) 4—6 წლის ასაკის ბავშვებისათვის (1982 იყო 20 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი), სავალდებულო 6-წლიანი დაწყ. სკოლები (მეტწილად კერძო, სწავლობდა 100 ათ-მდე მოსწ.). ზოგადსაგანმან. საშ. სკოლები და პროფტექ. სასწავლებლები (30 ათ-მდე მოსწავლე). პედ. კადრებს ამზადებს ერთი პედ. და ორი სამასწავლებლო ინ-ტი. ს-ის უნ-ტი არის პარამარიბოში; აქვს ორი ფაკ-ტი: სამედ. და იურიდ. (600-ზე მეტი სტუდენტი). პარამარიბოშია კულტ. ცენტრი (1947, მის ბ-კებში არის 24 ათ-მდე ტ.) და მუზეუმი (1954).

სურიოტაი, ტაილანდის ეროვნული გმირი ქალი. აიუთიის დედოფალი. ბირმის ჯარების მიერ აიუთიის ალყის დროს, 1549, თავის ერთ-ერთ ქალიშვილთან ერთად იბრძოდა, თავისი მეუღლე მეფე მაჰა ჩაკრაპატა იხსნა სიკვდილისაგან, თვითონ კი დაიღუპა.

სურიუმი, ანტიკური ხანის ქალაქი კოლხეთში. მოიხსენიება პლინიუსთან (I ს.) და პტოლემესთან (II ს.). ვარაუდით, ისტ. ს. ახლანდ. სოფ. სვირის (ზესტაფონის რ-ნი) ადგილზე მდებარეობდა.

ლიტ.: ლომური ნ., კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". ცნობები საქართველოს შესახებ. «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1955, ნარკვ. 32.

სურკოვი ალექსი ალექსანდრეს ძე [დ. 1 (13). X. 1899, სოფ. სერედნეევო, ახლანდ. იაროსლაველის ოლქი, — 14. VI. 1983, მოსკოვი], რუსი საბჭ. პოეტი, სოციალ. შრომის გმირი (1969). სკკპ წევრი 1925-იდან. სამოქალაქო (1918—20) და დიდი სამამულო (1941—45) ომების მონაწილე. სსრკ მწერალთა კავშირის პირველი მდივანი (1953—59). ლიტ. მოღვაწეობა 1918 დაიწყო. მისი 30-იანი წწ. ლექსები და სიმღერები გამსჭვალულია სამოქალაქო ომის პეროიკით. დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლექსებისათვის (კრებულები „დეკემბერი მოსკოვთან", 1942; „შეტევა", 1943 და სხვ.) 1946 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. ს-ის ძირითადი კრებულებია „მშვიდობა მსოფლიოს!" (1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951); „აღმოსავლეთი და დასავლეთი" (1957), „რა არის ბედნიერება?" (1969) და სხვ. სსრკ IV—X მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1956—66), მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი (1953-იდან), ბოტევის საერთაშ. პრემიის ლაურეატი (1976). დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Избр. стихи, т. 1—2, М., 1974.

სურმუში, სოფელი ცაგერის რ-ნში (ლაილაშის სოფსაბჭო), მდ. ლაჯანურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 800 მ. ცაგერიდან 20 კმ. ლაილაშის კოლ-ბა. (მემინდვრეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ლაილაშში (3 კმ). ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ცულების განძი, მ. შ. რამდენიმე კოლხური ცულია (მიაკუთვნებენ ძვ. წ. VIII ს).

სურნელოვანი მცენარეები, მცენარეები, რ-ებიც წარმოქმნიან და აგროვებენ (ყვავილში, თესლში, ნაყოფში, ფოთლებში და სხვ.) არომატულ ნივთიერებას (უფრო ეთეროვან ზეთს). იყენებენ პარფიუმერიაში, კვების მრეწველობაში, ფარმაცევტულ და ლიქიორ-არყის წარმოებაში. ს. მ. მოიცავს დაფნისებრთა, ქოლგოსანთა, მირტისებრთა, ტუჩოსანთა და სხვ. ოჯახის მრავალ სახეობას. სსრკ-ში საწარმოო მნიშვნელობა აქვს ვარდს, გერანს, დაფნას, ლავანდს და სხვ. იხ. *ეთერზეთოვანი მცენარეები.*

სურო (Hedera), მცენარეთა გვარი სუროსებრთა (არალიისებრთა) ოჯახისა. მწოხავი ბუჩქებია, მოსაკიდი ფესვებით ხეებზე.

კლდეებზე, ხისა და ქვის კედლებზეა აყოლილი. აქვთ მარადმწვანე ტყავისებრი პრიალა ფოთლები, მარტივ ქოლგა ყვავილედად შეკრებილი მწვანე ყვავილები, მომრგვალო, შავი კენკრა ნაყოფი. ყვავილობას შემოდგომაზე იწყებს და იანვ.-თებ-მდე აგრძელებს. ნაყოფმსხმოიარობს ზამთარში. დახრდილული ადგილებისა და ტყეების მცენარეებია. გვარში 15 სახეობაა, საქართველოში იზრდება 3: კ ო ლ ხ უ რ ი ს. (H. colchica) უმთავრესად დას. საქართველოშია გავრცელებული, აღმ-ში მხოლოდ ქართლში გვხვდება, საქართვ. ფარგლებს გარეთ — ჭანეთში და ბალკ. ნ.-კ-ზე. მისი მიწაზე გართხმული ყლორტების ფოთლები სქელია, ფართო კვერცხისებრი, ხოლო ძირში გულისებრი, სანაყოფე ყლორტებისა — რომბისებრი. იზრდება კოლხ. და წიწვოვან ტყეებში. კ ა ვ კ ა ს ი ურ ს-ს (H. caucasigena) აქვს დანაკბეთული, სამკუთხაკვერცხისებრი ფოთლები, რ-ის ზემო მხარეზე თეთრი ძარღვებია. გავრცელებულია მთელ საქართველოში, აგრეთვე კაკვ., შუა ევრ., ხმელთაშუაზღვისპირეთის, მცირე აზიისა და ირანის ტყეებში. პ ა ს ტ უ ხ ო ვ ი ს ს-ს (H. pastuchovii) მიწაზე გართხმული ყლორტების ფოთლები მომრგვალოკვერცხისებრია, მთლიანი ან დანაკბეთული, მხოხავი ყლორტებისა — მოგრძოკვერცხისებრი. იზრდება ფოთლოვან ტყეებში. საქართველოში გავრცელებულია ქართლსა (საგურამოს ქედი) და კახეთში, გვხვდება აგრეთვე აზერბაიჯანში და ირან. კასპისპირეთში. სამივე სახეობა კარგი თაფლოვანი მცენარეა. *რ. გაგნიძე.*

სპროგატი (ლათ. surrogatus — მაგიერი), 1. პროდუქტი (ან საგანი), რ-იც ნაწილობრივ ცვლის რომელიმე პროდუქტს (ან საგანს), რ-თანაც აქვს ზოგიერთი საერთო თვისება. მაგ., შაქრის ს. საქარინია, ყავის მარცვლებისა — ქერი, რკო და სხვ. 2. ნაყალბევი, ფალსიფიცირებული პროდუქტი.

სპროვიკინო, ქალაქი (1966-იდან) რსფსრ ვოლგოგრადის ოლქში, იქ, გეოგ. მდ. ჩირი ერთვის ციმლიანსკის წყალსაცავს. სუროვიკინოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის საოგური ვოლგოგრად—ლიხაიის ხაზზე. რძის საკონსერვო, ხორც-, ფრინველკომბინატები, ხილბოსტნეულსაკონსერვო, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები.

სპროსპარნი, ორლებნიან მცენარეთა ოჯახი; იგივეა, რაც *არალიისებრნი.*

სპრასათი (თურქ.), ლაშქრის შესანახავი ხარჯი. ფეოდალური ვალდებულება აზერბაიჯანში, სომხეთში, შუა აზიასა და საქართველოში (XVII—XIX სს. დასაწყ.). ამ პერიოდის წყაროებში ს. გვხვდება ორგვარი მნიშვნელობით: 1. *რაიათების* მიერ სამელ-საჭმლისა და ფურაჟის მიწოდება საერთოდ ჯარის მთავარი ძალებისათვის საჭიროების მიხედვით. 2. მალო ჯეჰათის ნაწილი, რ-იც აიღებოდა ჩარცვლეულით და განკუთვნილი იყო დივანისათვის (შირვანის სახანოში). ბუხარის სახანოში ს. ნიშნავდა საერთოდ ჯამაგირს სამხ. და სამოქალაქო მოხელეებისათვის. იგი მოიცავდა სურსათ-სანოვაგეს, ფურაჟს და ფულს. ს. „სმა-ლობა"-, „ყიზილბაშობის" დროს ჩნდება ქართლში (XVIII ს. 20—30-იანი წწ.).

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, ი*ბ.*, 1958; ქართულ-სპარსული ისტორიული სიბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, *თბ.*, 1965; П е т р у ш е в с к и й И. П., Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., Л., 1949. *დ. კაციტაძე.*

სპრახანდარიის ოლქი, შედის უზბ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1941 წ. 6 მარტს. ხდებარეობს უზბ. უკიდურეს სამხრ. ნაწილში. სამხრ.-ით, მდ. ამუდარიაზე გადის სსრკ—ავღ. საზღვარი. ფართ. 20,8 ათ. *კმ*². მოსახლ. 1020 ათ. მცხ. (1983), აქედან 19% ქალაქში ცხოვრობს. ცენტრი — ქ. თერმეზი. ოლქის ცენტრ. და სამხრ. ნაწილი ვაკეა, რ-საც გარს აკრავს ქედები (სიმაღლე 4643 *მ*-მდე). მთავარი მდ-ებია სურხანდარია შენაკადებით და შერაბადი. აგებულია რამდენიმე წყალსაცავი და არხი. განვითარებულია კვების (ზეთის საექსტრაქციო, ხილბოსტნეულსაკონსერვო, ღვინის, ლუდის ქ-ნები, ხორცისა და რძის, საფქვავი კომბინატები), მსუბუქი (ბამბასაწმენდი ქ-ნები, სამკერვალო, ხალიჩების და აბრეშუმის საქსოვი ფ-კები), საშენ მასალათა, ნავთობის და ქვანახშირის (ვითარდება) მრეწველობა. სოფ. მეურნ. მთავარი დარგებია: მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მებაღეობა და მევენახეობა, საძოვრული მეცხოველეობა. ქ. თერმეზში მდ. ამუდარიაზე გაშენებულია საერთაშ. მნიშვნელობის სამდ. ნავსადგური.

ს. ო. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

სუსა (თანამედროვე შ უ შ ა. ძვ. ელამური შ უ შ ე ნ), ძვ. ქალაქი, *ელამისა* და *აქემენიდთა სახელმწიფოს* ერთ-ერთი დედაქალაქი. ს-ის ნაქალაქარი განლაგებულია ოთხ ბორცვად ზაგროსის მთიანეთის ძირას, მდ. ქარუნისა და ქარხეს შუა ველზე, სამხრ.-დას. ირანში, თანამედროვე ხუზისტანის ოლქში. ნაქალაქარს მიაკვლია 1850 ინგლ. უ. კ. ლოფტუსმა, 1884—85 აღმ. ბორცვზე დარიოს I-ის სასახლის ნანგრევები გამოავლინა ფრანგმა არქეოლ. მ. დიელაფუამ, მანვე გათხარა ძვ. წ. IV ს. ცეცხლის ტაძარი სასახლის ჩრდ.-აღმ-ით 4 *კმ*-ზე. ყველაზე მაღალ (38 *მ*) ცენტრ. ბორცვზე ქალაქის შიდა ციხე აღმოჩნდა, დანარჩენი ორი ბორცვი კი რიგითი ნაგებობების ნაშთებს შეიცავს. 1897-იდან საფრ. არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ჟაკ დე მორგანი და სხვ.) დაიწყო ნაქალაქარის სისტემ. გათხრები. დადგინდა რამდენიმე კულტ. ფენა, ე. წ. ს. I (ძვ. წ. 3500—3000), რ-იც ხასიათდება ხელით ნაძერწი თხელკეციანი კერამიკით, მდიდრულად მოხატული გეომ. სახეებით, ფრინველ, მწათობთა, მცენარეთა და ცხოველთა სქემატური გამოსახულებებით. ს. I-ის უკანასკნელ პერიოდში (ფაზა სუსა D; ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ.) ჩნდება უძველესი ელამური ხატოვანი დამწერლობის ძეგლები. მომდევნო ფენები ეკუთვნის ელამის სახელმწიფოს არსებობის ხანას. გაითხარა ამ პერიოდის სასახლეები, ტაძრები, აღმოჩნდა ლურსმული დამწერლობით შესრულებული ელამური ტექსტები, აგრეთვე ბაბილონის კულტ. ძეგლები, რ-ებიც ელამის მმართველთა მიერ შუამდინარეთიდან (მანიშტუსუს ობელისკი, ნარამსუენისა და ხამურაბის კოდექსის სტელები) იყო გატაცებული. ძვ. წ. 640 ს. აიღეს და დაანგრიეს ასურელებმა. ძვ. წ. VI ს. შუა ხანებში ელამი სპარსელებმა დაიპყრეს, ხოლო დარიოს I-მა ს-ში მოჭიქული აგურით (შორენკეცებით) მოპირკეთებული სასახლე ააგო და იგი სახელმწიფოს დედაქალაქად აქცია. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ ს-მ თვითმმართველი ბერძნ. პოლისის სტატუსი და ახ. სახელწ. — სელევკია მიიღო. VII ს. 40-იან წლებში ქალაქი არაბებმა დაანგრიეს. მოგვიანებით ს. მეაბრეშუმეობით, შაქრის ლერწმის მოყვანითა და მეციტრუსეობით განთქმული ოლქის ცენტრად იქცა. მუსლ. ტრადიციით, აქ. მდ. ქარხეს ფსკერზე, იმყოფება წინასწარმეტყველ დანიელის საფლავი, რ-ის გასწვრივ, მდინარის პირას აგებულია მეჩეთი.

სუსამბარი (Pyrethrum balsamita), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვს მთლიანი ფოთლები. პატარა კალათა ყვავილედები, რ-ებშიც განაპირა ყვავილები თეთრია, შიგნითა კი — ყვითელი, თავმოყრილია საერთო ფარისებრ ყვავილედში. იზრდება მეტწილად კავკასიაში, მცირე და წინა აზიაში. საქართველოში გვხვდება ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტენიან და დაჭაობებულ მდელოებზე, მთის ნაკადულების ნაპირებზე. ს. მოჰყავთ სანელებელ მცენარედ, ხშირად ველურდება. იყენებენ ჩრჩილის, რწყილისა და სხვ. მწერების წინააღმდეგ.

სუსანინი ივანე (გ. 1613), პოლონელი ინტერვენტების წინააღმდეგ რუსი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირი XVII ს. დასაწყისში. გლეხი კოსტრომის მაზრის სოფ. დერევენკიდან (სოფ.-დომნინოს მახლობლად). 1612—13 ზამთარში პოლ. შლიახტელთა რაზმმა შეგზავნილ სოფ. დომნინომდე — რომანოვების მამულამდე, სადაც იმყოფებოდა ტახტზე არჩეული მიხეილ თედორეს ძე. ს-მა პოლონელები განგება შეიყვანა ჭაობიან ულრან ტყეში, რისთვისაც წამებით მოკლეს. ს-ის გმირობა აისახა ხალხ. ზეპირსიტყვიერებაში, მხატვრულ ლიტ-რაში, ამავე თემაზეა შექმნილი მ. გლინკას ოპერა „ივან სუსანინი". კოსტრომაში დგას ს-ის ძეგლი.



ა. სურკოვი.


სუ-სენტ-მარი (Sault Sainte Marie), ქალაქი კანადაში, ონტარიოს პროვინციაში. 83 ათ. მცხ. (1981). ნავსადგური მდ. სენტ-მერისზე. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. შავი მეტალურგია, საკისრების, ლითონის კონსტრუქციების, სამთამადნო მოწყობილობის წარმოება. ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დასამუშ. მრეწველობა.

სუსლოვი მიხეილ ანდრიას ძე [8 (21). XI. 1902, სოფ. შახოვსკოე, ახლანდ. პავლოვის რ-ნი, ულიანოვსკის ოლქი, — 25. I. 1982, მოსკოვი], კომუნისტური პარტიისა და საბჭ. სახელმწიფო მოღვაწე, ორგზის სოციალ. შრომის გმირი, (1962, 1972). სკკპ წევრი 1921-იდან. 1924 დაამთავრა მუშფაკი (მოსკოვი), 1928 — მოსკ. გ. პლეხანოვის სახ. სახალხო მეურნ. ინ-ტი. სწავლობდა წითელი პროფესურის ეკონ. ინ-ტში. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მოსკ. უნ-ტში, აქტიურად იბრძოდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტ. ბლოკისა და საკ. კპ (ბ)-ში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.



მ. სუსლოვი.

1931—34 მუშაობდა საკ. კპ(ბ) ცენტრ. სარევიზიო კომისიაში და მუშტლეხინის სახ. კომისარიატში, შემდეგ, 1936-მდე, სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭ. კონტროლის კომისიაში. 1939—44 საკ. კპ (ბ) სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს — ამიერკავკ. ჯარების ჩრდ. ჯგუფის სამხ. საბჭოს წევრი, პარტიზანთა რაზმების სტავროპოლის სამხარეო შტაბის უფროსი.


სურხანდარიის ოლქი
ა ზ ი ა
ა მ უ დ ა რ ი ა
ს ი რ დ ა რ ი ა
ა ფ ღ ა ნ ე თ ი
ი რ ა ნ ი
ა რ ა ბ ე თ ი
ჩ ა ი
დ ი ბ ა დ ა მ
ლ ა რ ა ქ ი
ა ზ ნ ი
დ ა რ ბ ა ზ ი
დ ე ნ ა უ
ს ი რ ა ბ ი
ბ ა ი ს უ ნ ი
ბ ა ლ დ ა რ ა
ს უ ფ ე რ ა ნ ი
ბ ა ი ს უ ნ ი ს წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი
ბ ე რ ქ ა ბ ა დ ი
ა ნ გ ი ო ლ ი
ლ ა ლ მ ი ქ ა რ ი
ხ ო მ ს ო მ ო ლ ა ბ ა დ ი
ს ა რ ყ უ რ ღ ა ნ ი
ნ ა ვ ბ ა ხ ო რ ი
თ ე რ მ ე ზ ი
ა ლ ტ ი ნ ს უ
ა ბ ი ა ნ ი
ს ა ი რ ხ ა ნ ი
ა ნ ი ს ი
ა ლ ტ ი ნ ს უ ს წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი
ა ბ ი ა ნ ი ს წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი
ს ა ი რ ხ ა ნ ი ს წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი
ს ა ი რ ხ ა ნ ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო
ს ა ი რ ხ ა ნ ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო ს წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი
ა ნ ი ს ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო ს წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი
ა ნ ი ს ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო
ა ნ ი ს



სუფანუჯონგი.

1946 მარტიდან მუშაობდა პარტიის ცკ-ის აპარატში, 1947-იდან იყო ცკ-ის მდივანი, ერთდროულად (1949—50) — გაზ. „პრავდის" მთავარი რედაქტორი.

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობაზე (1939) აირჩიეს ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრად, საკ. კპ(ბ) სრულიად საკავშ. XVIII კონფერენციაზე (1941), სკკპ XIX, XX, XXII—XXVI ყრილობებზე აირჩიეს ცკ-ის წევრად; 1955 იულ-იდან სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი, 1966 აპრ-იდან სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. სსრკ I—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1950-იდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, 1954-იდან კავშირის საბჭოს უცხოეთის საქმეების კომისიის თავ-რე.

დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, აგრეთვე ოქტ. რევ. ორდენით, მედლებით.

სუსპენზია (გვიანდ. ლათ. suspensio, სიტყვასიტყვით—ჩამოკიდება, <ლათ. suspendo — ვკიდებ), *დისპერსიული სისტემა*, რ-იც შედგება მყარი სხეულის ნაწილაკებისა (დისპერსიული ფაზა) და თხევადი სადისპერსიო არისაგან. ს. უხეში დისპერსიული სისტემაა. მას ღებულობენ თხევად გარემოში მყარი სხეულის დისპერსირებით, მშრალი ფხვნილების სითხესთან შერევით, კოლოიდური ნაწილაკების გამსხვილებით *კოაგულაციის* შედეგად და სხვ. ს-ს ფართოდ იყენებენ სამშენებლო ტექნოლოგიაში, კერამიკულ, პლასტმასების, ლაქ-საღებავების, ქაღალდისა და სხვ. წარმოებაში.

სუსტად კრებადობა, ერთ-ერთი სახის *კრებადობა*. $f_n(x)$ ფუნქციათა მიმდევრობა სუსტად კრებადია $f(x)$ ფუნქციისაკენ, თუ

$$\lim_{n\to\infty}\int_a^b f_n(x)\,\varphi(x)\,dx = \int_a^b f(x)\,\varphi(x)\,dx,$$

ნებისმიერი კვადრატით ინტეგრირებადი $\varphi(x)$ ფუნქციისათვის. მაგ. $\sin x$, $\sin 2x,\ldots,\ \sin nx,\ldots$ ფუნქციათა მიმდევრობა სუსტად კრებადია ნულისაკენ $[-\pi, \pi]$ შუალედში, ვინაიდან ნებისმიერი კვადრატით ინტეგრირებადი $\varphi(x)$ ფუნქციისათვის ფურიეს მწკრივის

$$b_n = \frac{1}{\pi}\int_{-\pi}^{\pi}\varphi(x)\,\sin nx\,dx$$ კოეფიციენტები ნულისაკენ მიისწრაფვის.

სუსტი ურთიერთქმედება, ელემენტარულ ნაწილაკებს შორის 4 ცნობილი ფუნდამენტური ურთიერთქმედების ერთ-ერთი ტიპი (დანარჩენი ტიპებია ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული და ძლიერი). ს. უ. გაცილებით სუსტია არა მარტო ძლიერ, არამედ ელექტრომაგნ. ურთიერთქმედებაზედაც, მაგრამ გაცილებით ძლიერია გრავიტაციულზე. დაწვრილებით იხ. *ურთიერთქმედება ფიზიკაში*.

სუსუ, ს ო ს ო, გვინეის რესპუბლიკის სასაზღვრო რ-ნებში მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 860 ათ. კაცი (1978, შეფასება). ს. ენა შედის მანდე ენების სამხრ. ჯგუფში. უმრავლესობა მუსლიმანია. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და თევზჭერა.

სუსუნატი, იხ. *გონორეა*.

„სუსხი", ქართული ლიტერატურულ-მხატვრული კარიკატურებიანი ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1913—14 *„ჭინჭრის"* შემდეგ და *„ბეშტიას ჭინჭრის"* პარალელურად. სულ გამოიცა 9 ნომერი. რედაქტორ-გამომცემელი — მ. ლელაშვილი. კარიკატურები ეკუთვნის გ. კილაძეს, შ. სანდროს (ს. შანშიაშვილი) და სხვ. „ს-ის" გამოცემა აიკრძალა თბილ. სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით.

„სუსხიანი ჭინჭარი", ქართული სატყუარჯო ალმანახი. გამოდიოდა თბილისში 1913 „ახალი ჭინჭრის" შემდეგ. სულ გამოიცა 2 ნომერი. გამომცემელი—მ. ლელაშვილი. დაბეჭდილია სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები და კარიკატურები. კარიკატურები ეკუთვნის შ. ქიქოძეს, ო. შმერლინგსა და გ. ზაზიაშვილს. „ს. ჭ-ის" შემდეგ გამოიცა „შხამიანი ჭინჭარი".

სუტომო (Sutomo) (30. VII. 1888 — 30. V. 1938), ინდონეზიის ეროვნული მოძრაობის მოღვაწე. დაიბადა არისტოკრ. ოჯახში. 1911 დაამთავრა სამედ. სასწავლებელი ჯაკარტაში. შემდგომ იყო ექიმი სუმატრასა და იავაზე. ინდონეზ. პირველი ეროვნ. ორგანიზაციის — „ბუდი უტომოს" (1908) ერთ-ერთი დამაარსებელი. 1924 სურაბაიაში დააარსა ინდონეზ. ეროვნ. ორგანიზაცია—ინდონეზ. კვლევითი კლუბი, 1931 — ინდონეზ. ერის კავშირი (პბი). 1935 პბი-ს, „ბუდი უტომოს" და ზოგიერთი სხვა პარტიისა და ორგანიზაციის შერწყმის შედეგად ს-ს მეთაურობით შეიქმნა დიდი ინდონეზ. პარტია (პარინდრა), რ-იც ინდონეზიის თვითმმართველობის მოპოვებისათვის გამოდიოდა.

სუფიანუვონგი (დ. 13. VII. 1909, ლუანგპრაბანგი), ლაოსის პოლიტიკური მოღვაწე, პრინცი. განათლება მიიღო საფრანგეთში (ინჟინერ-მშენებელი). აქტიურად მონაწილეობდა ლაო ისარას ანტიკოლონ. მოძრაობაში. 1945—49 იყო ლაო ისარას ეროვნ. არმიის სარდალი. 1950 მეთაურობდა ლაოსის ერთიან ეროვნ. ფრონტს, ხოლო 1956-იდან ლაოსის ეროვნ. მშენებლობის ფრონტის (1979 თებ-მდე ეწოდებოდა ლაოსის პატრიოტული ფრონტი) ცკ-ის თავ-რე. შედიოდა ორი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში 1957 და 1962. მეორე კოალიციაში ეკავა პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრის პოსტები. 1974 აპრილიდან 1975 დეკ-მდე მეთაურობდა ეროვნ. პოლიტ. კოალიციურ საბჭოს. 1975 დეკ-იდან ლაოსის სახ. დემოკრ. რესპ. (ლსდრ) პრეზიდენტი და უმაღლესი ეროვნ. კრების თავ-რე. მრავალჯერ იყო ოფიც. ვიზიტით სსრკ-ში. დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით (1979).

სუფთა ლითონები, ლითონები, რ-ებიც მცირე რაოდენობით შეიცავენ მინარევს. სისუფთავის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ გადიდებული სისუფთავის (99,90—99,99%), მაღალი სისუფთავის, ანუ ქიმიურად სუფთა (99,99—99,999%) და განსაკუთრებული სისუფთავის ანუ სპექტრულად სუფთა (99,999%-ზე მეტი) ლითონებს.

სუფიზმი [არაბ. სუფი, სიტყვასიტყვით—ვისაც შალის ტანსაცმელი აცვია, (სუფი—შალი, უხეში შალის ქსოვილი აქედან—ძაძა, როგორც ასკეტის ატრიბუტი)], მისტიკური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა ისლამში, ჩაისახა VIII ს-ში თანამედროვე ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ თანდათანობით გავრცელდა სხვა ისლამურ ქვეყნებში. ს-ის დამახასიათებელი ნიშნები: იდეალ. მეტაფიზიკის შერწყმა განსაკუთრებულ ასკეტური ცხოვრების წესთან; მოძღვრება მისტ. სიყვარულის გზით ღმერთის შემეცნებასთან თანდათან მიახლოებისა და ღმერთთან სრული შერწყმის შესახებ; უხუცეს-დამრიგებლის (ფირი) განსაკუთრებული როლი, რ-საც მორწმუნე (მურიდი) მიჰყავს მისტ. გზით ღმერთთან საბოლოო შერწყმის მომენტამდე, აქედან მომდინარეობს სუფიების მისწრაფება ინტუიტიური შემეცნებისა და ექსტაზისკენ, რასაც, თითქოს, აღწევენ განსაკუთრებული ცეკვებისა და ლოცვების უსასრულო განმეორებით, „ხორცის დათრგუნვით".

ს-ის ფუძემდებლებმა IX ს-ში ბაღდადელმა აბუ აბდ ალ-ლაჰ ალ-მუჰასიბმა და ეგვ. ზუ ლ-ნუნ ალ-მისრიმ შექმნეს მოძღვრება ადამიანის ქცევებისა და მისი სინუკვარი მისწრაფებების თანაფარდობაზე თვითდაკვირვების შესახებ, რაც ღმერთის წინაშე მორწმუნის უმაღლესი გულწრფელობის გარანტიად მიაჩნდათ.

ბაღდადის სკოლის წარმომადგენელმა ჯუნაიდმა (გ. 909) შექმნა მოძღვრება სუფის ღმერთთან მისტ. შერწყმის ანუ „ზეყოფიერების" შესახებ. მისტ. გზის პირველ ეტაპად ჯუნაიდი თვლიდა „შარიათს" — მუსლ. რელიგ. კანონს, მეორე ეტაპად — სუფიურ გზას — „ტარიკათს", ხოლო მესამე ეტაპად — „ჰაკიკათს" — ჭეშმარიტების მისტ. წვდომას ღმერთში.

X—XI სს-იდან იქმნება სუფიური „ორდენები", ანუ სექტები, სუფიებისათვის მონასტრის ტიპის საცხოვრებლები (ხანაგა).

ისლამში ს-ის იდეები, კერძოდ სუფის სულის ღმერთთან რეალური იგივეობის თვალსაზრისი, მკრეხელობად, ერესად ითვლებოდა. მაგრამ ალ-ღაზალის რეფორმატორული მოღვაწეობის შედეგად ს. XI—XII სს-ში აღიარა ორთოდოქსულმა ისლამმა.

თავისი არსებობის 12 საუკუნის მანძილზე ს. და მისი ორგანიზაციული ფორმები დიდ როლს ასრულებდნენ მუსლ. აღმოსავლეთის პოლიტ. ცხოვრებაში [მონაწილეობდნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ ომებში (ჯიჰადი), სარბედართა სახ. აჯანყებებში (XIV ს.), XVI ს. დასაწყისში ირან. ტახტზე აიყვანეს სეფიანთა დინასტია]. XIX ს-ში სუფიებად ითვლებოდნენ შამილის მურიდები.

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. ბურჟ. რეფორმატორებმა და ისლამის მოდერნიზატორებმა ბრძოლა გააჩაღეს სუფიური ორდენების წინააღმდეგ.

სსრკ-ში სუფიურმა ორდენებმა არსებობა შეწყვიტეს 20-იან წლებში. აღმ. ქვეყნებში დღესაც გრძელდება პროგრ. ძალების ბრძოლა ს-ის წინააღმდეგ.

ლიტ.: Бертельс Е. Э., Суфизм и суфийская литература, М., 1965 (ბიბლიოგრ.); Религия и общественная мысль стран Востока, М., 1974, с. 320—350 (ბიბლიოგრ.).

სუფილულიობა, ხეთების მეფეთა სახელი. ს. I, ხეთების მეფე, ძე თუთხალია III-ისა (შესაძლოა, II-ისა), ხეთების „ახალი სამეფოს" დამაარსებელი (იმეფა დაახლ. ძვ. წ. 1380—1340). ს-ს დროს ხეთების სახელმწიფომ დიდ პოლიტ. ძლიერებას მიაღწია. ილაშქრა ჩრდ. შუამდინარეთსა და ჩრდ. სირიაში, რითაც მეტოქეობა გაუწია ეგვიპტეს. დაიპყრო მითანი და მიწასთან გაასწორა მისი დედაქალაქი ვაშუქანი, შეიჭრა სირიაში და დაამხო ხალაფი (ახლანდ. ჰალაბი), ალალახი (ახლანდ. თელ-აჩანა), ქარხემიში და სხვ. „ვასალური" ხელშეკრულებები დაადებინა მითანის, ნუხაშეს, ამურუს, ქარხემიშის, ქიცვათნის, ხაიასისა და უგარითის მეფეებს. ს-ს სამხ. ლაშქრობები აღწერილია მისი ძის — მურსილი II-ის მიერ შედგენილ ე. წ. „სუფილულიუმას ანალებში". ს. II, ხეთების უკანასკნელი მეფე (დაახლ. ძვ. წ. 1200), განახორციელა რამდენიმე სამხ. ლაშქრობა. მიუხედავად ამისა, მის დროს ხეთების სამეფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტდა.

ლიტ.: ძველი აღმოსავლეთ ს ხალხთა ისტორია, თბ., 1971; Gurney O. R., The Hittites, Harmondsworth, 1961.

გ. გიორგაძე.

სუფიური ლიტერატურა, *სუფიზმის* მისტიკური იდეების ამსახველი ლიტერატურა, რ-იც დიდად იყო გავრცელებული შუა საუკ. მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. ჟანრობრივი თვალსაზრისით უაღრესად მრავალფეროვანია; იყენებდნენ როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ფორმებს: ტრაქტატი, საუბარი, შეგონებანი, ლოცვანი, რომანული თუ დიდაქტ. პოემა, ლირ. ლექსთა სახეობანი, განსაკუთრებით რობაი, ღაზალი და სხვ. თეორ. ნაშრომებს უმთავრესად პროზად წერდნენ, თუმცა

არც პოეტური ფორმა იყო გამორიცხული (მაგ., ჯალალ ალ-დინ *რუმის* პოემა „მასნავიე მანავი“, მიუხედავად მისი მხატვრულობისა, სუფიზმის „ენციკლოპედიად“ არის მიჩნეული).

სუფიური პოეტური აზროვნებისათვის დამახასიათებელია უკიდურესი ალეგორიზმი და სიმბოლურობა. სუფიური ლირიკა გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი სატრფიალო თუ სალაღობო პოეზიისაგან, მაგრამ მის ყოველ სიტყვასა თუ პოეტურ ხატში ყოველთვის იგულისხმება მისტ.-ფილოს. აზრი, რაც მკაცრად შემუშავებული ტერმინოლოგიის გამო პოეტური სიმბოლოების ერთ მთლიან სისტემად წარმოგვიდგება. ამით არის განპირობებული სუფიური ხატოვანი აზროვნების გარკვეული უნიფიკაცია, რ-იც ხშირად ერთფეროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს. ცნობილია სიმბოლოთა დადგენილი ნუსხა: სატრფო-ღმერთი, მიჯნური-პოეტი, ე. ი. თვით ლირ. გმირი, ღვინო-ექსტაზი, მერიქიფე-შეიხი ანუ სულიერი მოძღვარი და ა. შ. პოეტური აზროვნების ამგვარ თავისებურებას ხშირად შეცდომაში შეჰყავს გაუთვითცნობიერებელი მკითხველი. ვინც არ იცის ამ მოძღვრების სპეციფიკა, მისთვის სანგანგებო კომენტარების გარეშე გაუგებარი რჩება სუფიური თხზულების ჭეშმარიტი არსი. სუფიზმი სხვადასხვა მისტ. სექტის მსოფლმხედველობების ერთგვარი კრებითი სახელია. ამდენად ს. ლ-შიც ვხვდებით კონცეფციურ სხვაობებს, მაგრამ მათი ლიტ. ხასიათი და ბუნება ერთგვაროვანია. ს. ლ-ის მნიშვნელოვან წარმომადგენელთაგან აღსანიშნავი არიან *აბუ საიდი*, აბდ ალ-ლაჰ *ანსარი*, ფარიდ ალ-დინ *ათარი*, აბდ ალ-რაჰმან *ჯამი* და სხვ.

ლიტ.: კობიძე დ., სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975; კოტეტიშვილი ვ., პაუზის პოეზიის ბუნების გაგებისათვის, «თსუ შრომები», 1962, ტ. 99; Бертельс Е. Э., Суфизм и суфийская литература, М., 1965; Джавелидзе Э. Д., У истоков турецкой литературы, Тб., 1979. *ვ. კოტეტიშვილი.*

სუფიძსი, იხ. სტ. *აფიქსი.*

სუფლიორი (ფრანგ. souffleur < souffler — სუნთქვა, შებერვა, კარნახი), თეატრის მუშაკი, რ-იც თვალყურს ადევნებს რეპეტიციასა და სპექტაკლის მსვლელობას პიესის შემოწმებული ტექსტით (ს-ის ეგზემპლარი). აუცილებლობის შემთხვევაში ს. კარნახობს მსახიობებს როლის ტექსტს სუფლიორის ჯიხურიდან, რ-ის ადგილი არის ფარდის ხაზთან, ან ერთერთ გვერდით კულისში (ს-ს მაყურებელი ვერ ხედავს).

სუფლე (Soufflot) ჟაკ ჟერმენ (22. VII. 1713, ირანსი, ქ. ოსერის მახლობლად,— 29. VIII. 1780, პარიზი), ფრანგი არქიტექტორი, XVIII ს. *კლასიციზმის* ერთერთი წამყვანი წარმომადგენელი. სწავლობდა რომში (1734—37). 1730-იან წლებში იმოგზაურა მცირე აზიაში, 1750 შეისწავლა და აზომა სიცილიისა და პესტუმის ანტ. ძეგლები. არქიტ. მოღვაწეობა დაიწყო ლიონში, სადაც მისი პროექტით აშენდა ოტელი დიე (საავადმყოფო; 1741—42) და სხვ. 1755-იდან მუშაობდა პარიზში. ნამუშევართაგან აღსანიშნავია სენტ-ჟენევიევის ეკლესია პარიზში (1758—90, 1791 გადაკეთდა პანთეონად). ეკლესიის უზარმაზარი დარბაზი დაგვირგვინებულია გუმბათით, ხოლო შესასვლელს კლასიკური *პორტიკი* ამშვენებს.



ჟ. ჟ. სუფლო. პანთეონი (ყოფილი სენტ-ჟენევიევის ეკლესია). 1756—90. პარიზი.

სუფოზია (<ლათ. suffosio —ძირის გამოთხრა), ქანებში ჩაჟონილი წყლის მიერ წვრილი მინერალური ნაწილაკებისა (მექან. ს.) და ხსნადი ნივთიერებების გამოტანა (გამოტუტვა). ს. არღვევს გრუნტების მიკროაგრეგატულ სტრუქტურას, წარმოქმნის მიწისქვეშა სიღრუეებს და იწვევს ზემოთ მდებარე შრეების ჩაწოლას, რის გამოც ხმელეთის ზედაპირზე ჩნდება 10 *მ* და ზოგჯერ მეტი დიამეტრის დუბეები და ძაბრები.

სუფრაჯი, საფარეშოს მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ს-ის ძირითადი მოვალეობა მეფის პირადი სამსახურის გამგებლობა იყო. ვახტანგ VI-ის *დასტურლამალის* მიხედვით, ს-ს მეფის სუფრის გაშლა ევალებოდა. ს. საპატიო, მეფის ხელშინაური მოხელე და მასთან დაახლოებული პირი იყო. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამეფოს მმართველობაში. ს-ის სახელო მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ (ს. იყო, მაგ., შადიმან *ბარათაშვილი*). ზოგიერთ მოვალეობას ს. თავისი „კაცების“ საშუალებით ასრულებდა. ს. დედოფალსაც ჰყავდა. თბილ. ერთ-ერთ უბანს სუფრაჯიანთა უბანი რქმევია.

ლიტ.: სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952. *ი. სურგულაძე.*

სუფრის მარილი, იგივეა, რაც *ნატრიუმქლორიდი.*

სუფრის ღვინო, იხ. *ღვინო.*

სუფრული, ქართული (ქართლ-კახური) კლასიკური, მაღალმხატვრული საგუნდო სიმღერა, აგრეთვე ქართ. ხალხ. სასიმღერო შემოქმედების ცნობილი ჟანრი, რ-საც განეკუთვნება მდიდარი და მრავალფეროვანი გუნდური სიმღერები „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერ“, „მო, ლხინი ვნახოთ“, „ჩვენ მშვიდობა“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „დალიე ღვინო, იქნება“, „ჟურძენმა სთქვა“, „თამარქალო“ და სხვ. არტემ ერქომაიშვილის ცნობით, სუფრაზე ძველად სიმღერებს წინ უსწრებდა სალხინო საგალობლები — „დღეს საღმრთომან მადღმან“, „მოვედით და ვსვათ სასმელი ახალი“, „დიდება ღმერთსა“, „თამადებს გაუმარჯოს“, „სადღეგრძელო“, „მრავალჟამიერ“ (ცხრანაირი), „მადლობელი ვარ“, აგრეთვე „სიყვარულმა მოგვიყვანა“ „შენ ხარ ვენახი“ და სხვ.

სუფსა, მდინარე დას. საქართველოში, სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე მწვ. მეფისწყაროსთან, 2600 *მ* სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. გრიგოლეთთან. სიგრძე 108 *კმ*, აუზის ფართ. 1130 *კმ*². მთავარი შენაკადებია: გუბაზეული, ბახვისწყალი, ბარამიძისწყალი. აუზის ჩრდ. საზღვარი გურიის სერს გასდევს, სამხრ.—მესხეთის ქედსა (ზემო დინებაში) და ნასაკირალის სერს (ქვემო წელში). აუზი აგებულია ტუფოგენური ქანებით, ქვიშაქვებით, ქვიშნარ-კონგლომერატული ნალექებით, თიხებით. სათავის მონაკვეთზე აუზი შემოსილია სუბალპ. მდელოს მცენარეულობით, 2000 *მ*-ზე ქვემოთ — ტყით, რ-ის შემადგენელია სოჭი, ფიჭვი, წიფელი, რცხილა, მუხა და სხვ. სოფ. ბუკისციხის ქვემოთ აუზის დიდი ნაწილი უკავია სას.-სამ. სავარგულებს. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. იცის წყალმოვარდნები (წელიწადში 16—27-ჯერ). გაზაფხულის წყალდიდობა შედარებით ხანმოკლეა. მდინარის წყლის რეჟიმი უმთავრესად დამოკიდებულია ატმ. ნალექების რაოდენობასა და ინტენსივობაზე, მაქს. ხარჯი სოფ. ჩიდმაღალასთან 700 $მ^3/წმ$ აღწევს, მინ. ხარჯი ქვემო დინებაში 4 $მ^3/წმ$, საშ. მრავალწლ. ხარჯი შესართავთან — 46 $მ^3/წმ$.

გ. გიგინეიშვილი.

სუფსა, სოფელი ლანჩხუთის რ-ნში, გურიის დაბლობზე, მდ. სუფსის ნაპირას, ლანჩხუთ—ქობულეთის სარკინიგზო და საავტ. გზებზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: **ს.**, ახალსოფელი, გრიგოლეთი, მალთაყვა, ტაბანათი, ჩქუნი, ხიდმაღალა). რკინიგზის სადგური. ზ. დ. 7 *მ*, ლანჩხუთიდან 21 *კმ*. ხიდმაღალის მეციტრუსეობის სპეციალიზებული საბჭ. მეურნ. „ლიმონარიუმი“, ფ. ძერჟინსკის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა), ჩაის ფ-კა. 3 დაწყ., რვაწლ., საშ. და სამუსიკო სკოლები, 3 საბავშვო ბაგა-ბაღი, 5 ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), 2 კლუბი, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სუქაანთუბანი, სოფელი ქარელის რ-ნში (ზღუდრის სოფსაბჭო), მდ. ძამის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, ქარელიდან 11 *კმ*. ზღუდრის კოლ-ბა (მეხილეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ზღუდერში (1 *კმ*).

სუძება სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა, დაკვლის წინა პერიოდში ცხოველის გაძლიერებული კვება მეტი და მაღალხარისხოვანი ხორცის მისაღებად. ასუქებენ ყველა სახისა და ასაკის სას.-სამ. ცხოველს. ს-ის ეკონ. ეფექტი და ხორცის ხარისხი დამოკიდებულია ცხოველის სახეობაზე, ჯიშზე, სქესზე, ნასუქობაზე, კვების ტიპსა და ინტენსიურობაზე, შენახვის პირობებზე და სხვ. განსაკუთრებით კარგ შედეგს ღებულობენ სპეც. სახორცე ჯიშებისა და სამრეწვ. შეჯვარების გზით მიღებული ნაჯვარი თაობის სუქებისას. გასასუქებელი სულადობა უნდა დაჯგუფდეს სქესის, ასაკის, ნასუქობისა და ტემპერამენტის მიხედვით.

მსხვ. რქ. საქონლის გასასუქებლად იყენებენ ს-ის სხვადასხვა წესს. მაგ., დიეტური ხბოს თერიხორცი მისაღებად ს-ის ხანგრძლივობა ხბოს დაბადებიდან 45—60 დღემდე გრძელდება. ძირითადი საკვებია მოუხდელი რძე. ს-ის ბოლოს დასაშვებია ცხიმმოხდილი რძე და კონცენტრატები. გასტრონომიული ხბოს ხორცის მისაღებად ხბოს ასუქებენ დაბადებიდან 90—120 დღემდე. მე-15—მე-20 დღეს ულუფაში მოუხდელ რძესთან ერთად უმატებენ რძის შემცვლელს, მოხდილ რძეს და კონცენტრატს. ახალგაზრდა ძროხის ხორცს ღებულობენ, როდესაც მოზარდეულის ს. იწყება 6—8 თვიდან და მთავრდება მე-9—მე-12 თვეზე. ძროხის ხორცის მისაღებად მიმართავენ ინტენს. ს-ს, რასაც სამრეწვ. ხასიათი აქვს; იგი მოიცავს სახორცე და სარძეო-სახორცე ჯიშების მოზარდეულის ს-ს 16—20 თვემდე. ამ დროს მათი ცოცხალი მასა 400—480 *კგ*-ს აღწევს. ს-ის ამავე ტიპს განეკუთვნება ზრდასრული პირუტყვის ინტენს. ს.

წუნდებულ პირუტყვს 3 თვის განმავლობაში ასუქებენ და ეს დრო 3 პერიოდად იყოფა: I პერიოდში ცხოველს ძირითადად უხეში და დიდმოცულობიანი საკვები ეძლევა; II პერიოდში მნიშვნელოვნად მცირდება უხეში და მოცულობითი საკვების ხვედრითი წილი და ულუფაში შეაქვთ ნაკლები მოცულობის, შედარებით მაღალყუათიანი საკვები; III პერიოდში ულუფის მოცულობა მცირეა (ძირითადად ეძლევა კონცენტრატები).


განასხვავებენ საიალაღო (საძოვრული), სილოსით, თივით, ჟენუოთის ს-ს და ს-ის სხვ. სახეებს. იალაღზე ასუქებენ ისეთ ადგილ. დაბალპროდუქტიულ ჯიშებს, რ-თა ცოცხალი მასა 250—300 *კგ* აღწევს.

მეცხვარეობაში ყველაზე ეფექტურია სახორცე-სამატყლე ჯიშის ცხვრის ან მათთან ნაჯვარების ს., ბატკნის გასუქება ასხლეტისთანავე იწყება და 7—9 თვეში მთავრდება. საქართვ. პირობებში ცხვარს ძირითადად საძოვარზე ასუქებენ.

მეღორეობაში იყენებენ ს-ის რამდენიმე ტიპს, რ-თაგან აღსანიშნავია სახორცე ს. რ-ის დროსაც გასასუქებლად ჰყავთ 15—16 *კგ*-იანი 2,5 თვის გოჭები და წყვეტენ ს-ს 7—7,5 თვის ასაკში, როცა ცოცხალი მასა 95—100 *კგ*-ს აღწევს. საბეკონე ს-თვის არჩევენ ადრეულა ჯიშის ან მათი ნაჯვარების კარგად განვითარებულ გოჭებს, ს-ს იწყებენ 2,5-თვიდან და ამთავრებენ მე-6 —მე-7 თვეზე. ს-ის ბოლოს ცოცხალი მასა 90—100 *კგ*-ს აღწევს. საქონე ს-ს მიმართავენ ქონის დიდი რაოდენობით მისაღებად. ამ



პ. სუშკინი.



სუბეიში. გუმბათოვანი ეკლესია. V—VI სს. გეგმა.



დ. სუხე-ბატორი.



კ. სუხიაშვილი.

მიზნით იწყება ზრდასრული, წუნდებული სულადობის ს. და გრძელდება 3 თვის განმავლობაში.

მეფრინველეობაში ძირითადად ხდება სატაბაკე ან წუნდებული მოზარდეულის ს. შესაძლოა წუნდებული სადედე სულადობის გასუქებაც, რაც 15—26 დღეს გრძელდება. ამ დროს ფრინველს მირითადად კონცენტრატებით კვებავენ.

ლიტ.: Азаров Г. С., Откорм и нагул скота мясных пород, М., 1971; Шмаков Н. В., Выращивание, нагул и откорм крупного рогатого скота, Л., 1969.

ი. ხუციშვილი.

სუქითი, სოფელი ქარელის რ-ნში (ახალსოფლის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 820 *მ*, ქარელიდან 15 *კმ*. ახალსოფლის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ახალსოფელში (3 *კმ*).

სუქცესია (ლათ. successio — მემკვიდრეობითობა, მემკვიდრეობით მიღება), გარემოს გარკვეულ უბანზე ერთი ფიტოცენოზის (ბიოგეოცენოზის) თანდათანობითი შეცვლა მეორით. არჩევენ პირველად (ნიადაგით დაუფარავ გრუნტზე) და მეორეულ (დარღვეული ცენოზების ადგილას, სადაც შემორჩენილია ნიადაგი და ცოცხალი ორგანიზმები) ს-ს. პირველადია კლდის, ნაშალების, ქვა-ღორღიანი ადგილების თანდათანობითი დაფარვა მცენარეებით, მეორეული კი—მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების დასახლება მიტოვებულ მიწებზე (ნასვენი მიწები, გაჩეხილი ტყე და სხვ.). ს. განპირობებულია ორგანიზმების ურთიერთზემოქმედებით ერთმანეთთან და გარემოსთან (ერთი სახეობის განდევნა მეორით, გამოწვეული ერთ-ერთის ბიოეკოლ. უპირატესობით, მცენარეთა გარკვეული სახეობების განადგურება ცხოველების, მავნებლების მიერ, ნიადაგის ფიზ. და ქიმ. თვისებების შეცვლა ცოცხალი ორგანიზმების ზეგავლენით), გარემოს შეცვლით, ადამიანის საქმიანობით (ტყის გაჩეხვა, გადახვნა, გაძოვება და სხვ.). ერთი ფიტოცენოზის შეცვლა მეორით ს-ის პროცესში წარმოქმნის ,,სუქცესიურ რიგს ანუ სერიას. თუ ს-ის ბუნებრივი მიმდინარეობა არ ირღვევა, მაშინ ჩამოყალიბდება შედარებით სტაბილური (კლიმაქსური) ცენოზი, რ-იც ხასიათდება გარემოს, ფაუნასა და ფლორას შორის წონასწორობით. ასეთ ცენოზს, თუ გარედან არ მოხდა ჩარევა, განუსაზღვრელად დიდხანს შეუძლია არსებობა. ს-ისა და მისი გამომწვევი ფაქტორების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი რესურსების დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და კულტბიოგეოცენოზების შექმნის საქმეში.

სუ ში (მეორე სახელი სუ დუნპო) (1036, სიჩუანის პროვინცია, — 1101, ქ. ჩანჯოუ), სუნის ეპოქის ჩინელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა კარის მოხელის ოჯახში. ს. შ-ის მამა (სუ სიუნი), და (სუ სიაომეი) და ძმაც (სუ ჩე) პოეტები იყვნენ. პოლიტ. ბრძოლაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ს. შ. იყო საპყრობილეში, გადასახლებაში. ავტორია რამდენიმე ათასი პოეტური (პოლიტ., ფილოს., პეიზაჟური ლირიკა) და პროზაული (უმთავრესად ესეისტური) თხზულებისა. მან ღრმა კვალი დატოვა თავისი დროის ,,მაღალი" ლიტ-რის ყველა ძირითად ჟანრში.

სუშკინი პეტრე პეტრეს ძე [27. I (8. II). 1868, ტულა, — 17. IX. 1928, კისლოვოდსკი, დაკრძალულია ლენინგრადში], საბჭ. ზოოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1923). 1910-იდან ხარკოვის, 1919-იდან ტავრიის (სიმფეროპოლში) უნ-ტების პროფესორი. მისი ძირითადი შრომები ეხება ორნითოლოგიის, შედარებითი ანატ. და პალეონტოლ. საკითხებს. მრავალრიცხოვანი ექსპედიციის შედეგად (ბაშკირეთი, ყაზახეთი, სამხრ. ციმბ. მთიანეთი) შეაგროვა ძვირფასი მასალა ფრინველთა სისტემატიკის, ბიოეკოლ., გეოგრ. გავრცელების შესახებ. 1913 კავკასიაში იმყოფებოდა. ს-ის ზოოგეოგრ. განზოგადოებებსა და გამოკვლევებს მინუსინსკის ქვაბულის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ციმბ. ფაუნის ისტორიისათვის. ს-მა დეტალურად დაამუშავა შავარდნისნაირთა და ზოგი ბეღურასნაირის სისტემატიკა. მისი პალეონტოლ. გამოკვლევები ეხება ხმელეთის ხერხემლიანთა ისტორიას, მათი უძველესი წარმომადგენლების (სტეგოცეფალები, ნადირკბილა ქვეწარმავლები) შესწავლას.

სუჩავა (Suceava), ქალაქი ჩრდ.-აღმ. რუმინეთში, მდ. სუჩავის (მდ. სირეტის შენაკადი) ნაპირზე. სუჩავის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 74 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დასამუშ. კომბინატები; კვების, მანქანათსამ., ტყავ-ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის მრეწველობა.

სუჩავა (Suceava), ჟუდეცი ჩრდ.-აღმ. რუმინეთში. ფართ. 8,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 648 ათ. კაცი (1979), აქედან 27%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. სუჩავა. ხე-ტყის (ტყეს უჭირავს ს-ის ტერიტ. 1/2-ზე მეტი), ხის დასამუშ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ. პროდუქციით ს. I ადგილზეა რუმინეთში. კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. იღებენ მანგანუმის, ფერადი ლითონების მადანს, ქვამარილს, ბარიტს, გოგირდს. მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, კანაფი, შაქრის ჭარხალი. განვითარებულია მებაღეობა, მებოსტნეობა. კარტოფილის მოყვანით, მსხვ. რქ. საქონლის სულადობით და რძის წარმოებით ს. I ადგილზეა რუმინეთში.

სუქოკი მოსაბურო (7. II. 1893, აიტის პრეფექტურა, — 7. V. 1970, ტოკიო), იაპონიის სოციალ.-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწე. 1945 მონაწილეობდა იაპ. სოციალ. პარტიის (ისპ) შექმნაში, იყო მისი მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერი. 1949—50 ისპ-ის გენ. მდივანი, 1951 და 1955—60 ისპ ცაკის თავ-რე, 1951—55— მემარცხენე ისპ-ის ცაკის თავ-რე, 1960-იდან ისპ-ის მრჩეველი. ავტორია შრომებისა იაპ. კაპიტალიზმისა და ს.-დ. მოძრაობის ისტორიის პრობლემების შესახებ იაპონიაში.

სუხანოვი არსენი (არტემი) (დაახლ. 1600—14. VIII. 1668), რუსი საეკლესიო მოღვაწე. 1637—40 იყო მოსკ. სამეფოს ელჩობის წევრი კახეთში (იხ. *ეოლკონსკის ელჩობა*). 1649 და 1651 იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1652 ჩამოვიდა თბილისში, რათა როსტომ მეფისაგან მიეღო სარეკომენდაციო წერილი შემახის ხანთან, რ-იც აბრკოლებდა რუსი ვაჭრებისა და მოგზაურების გამგზავრებას მოსკოვში. დაათვალიერა თბილისი, მცხეთა, სვეტიცხოვლისა და კავთისხევის მონასტრები და დაწვრილებით აღწერა ისინი. მისი მოგზაურობის ანგარიშში საინტერესო ცნობებია დაცული საქართვ. შესახებ. 1653—1655 იყო ათონის მთაზე, საიდანაც მოსკოვში ჩაიტანა 500-ზე მეტი ბერძნ. და სლავ. ხელნაწერი.

ლიტ.: ცინცაძე ი., ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965; Белокуров С. А., Поездка старца Арсения Суханова в Грузию (1637—1640), «Христианское чтение», 1884, кн. 3—4; Вольф, Арсений Суханов, ч. 1 (Биография), ч. 2, в. 1 (Труды), М., 1891—94; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ნ. ჩიქოვანი.

სუხაჩი, V—VI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოს ისტორიულ პროვინცია ტაოში (ახლა თურქ. ფარგლებშია). მდებარეობს იშხნის ტაძრის ჩრდ-ით. გეგმით ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესია ტეტრაკონქის ტიპისაა. ნაგებია გათლილი ქვით. დას. მხარეს ეკვრის ეგვტერი. ერთადერთი შესასვლელიც აქედანვე აქვს. ეგვტერი უფრო გვიანი ხანისაა. ეკლესია შიგნით შელესილი იყო, მოხატულობის კვალი არ შეინიშნება. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია.

სუხე-ბატორი დამდინი [2. II. 1893, ცეცენ-ხანის აიმაკი (ახლანდ. სუხე-ბატორის აიმაკი), — 22. II. 1923, ურგა (ახლანდ. ულან-ბატორი)], მონღოლეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მონღ. სახ. რევ. პარტიის დამაარსებელი, მონღ. სახ. რევ. (1921) ბელადი. დაიბადა ღარიბი არატის ოჯახში; 1912 გაიწვიეს ფეოდ.-თეოკრ. მონღ. არმიაში, სადაც ესკადრონის მეთაური გახდა. ჩინ. მილიტარისტებთან და იაპ. აგენტის ბაბუჯაბის ყაჩაღურ ბანდებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა გამბედაობით, რისთვისაც ,,ბატორი" (გმირი, რაინდი) შეარქვეს. 1919 ჩამოაყალიბა არალეგალური რევ. წრე. 1920 სათავეში ჩაუდგა რევ. ორგანიზაციას, რ-იც მონღ. სახ. პარტიის (მსპ) საფუძველი გახდა. ს.-ბ-ის მეთაურობით 1921 მარტში შედგა მსპ-ის I-ლი ყრილობა, რ-მაც მოუწოდა მონღოლ ხალხს აჯანყებისაკენ, განსაზღვრა ანტიიმპერიალ. და ანტიფეოდ. რევ. ამოცანები. ს.-ბ. აირჩიეს მსპ ცკ-ის შემადგენლობაში. 1921 მარტიდან დროებითი სახ. მთავრობის წევრი, სამხ. მინისტრი და სახ. არმიის მთავარსარდალი იყო. 1921 მაისში მონღ. სახ. არმიამ ს.-ბ-ის მეთაურობით და მაშველად მოსულმა წითელი არმიის ნაწილებმა დაამარცხეს უნგერნის თეთრგვარდიელთა არმია. 1921 წ. 6 ივლ. მათ გაათავისუფლეს ურგა. 10 ივლ. დროებითი სახ. მთავრობა გარდაიქმნა მუდმივ სახალხო მთავრობად. ს.-ბ. შევიდა მის შემადგენლობაში და სამხ. მინისტრის თანამდებობა დაიკავა. საბჭოთა და მონღ. ხალხების საერთო მტრის, თეთრგვარდიული ბანდების, წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ს.-ბ. დააჯილდოვეს წითელი დროშის საბჭოთა ორდენით. 1921 წ. 5 ნოემბერს ს.-ბ. მონაწილეობდა მოსკოვში რსფსრ-სა და სახ. მონღოლეთს შორის მეგობრობის ხელშეკრულების დადებაში. იგი ვ. ი. ლენინმა მიიღო.

სუხე-ბატორი, ქალაქი მონღ. სრ-ში, მდ. ორხონის ნაპირზე, სელენგის და ორხონის შესართავის მახლობლად, სსრკ-ის საზღვართან. სელენგის აიმაკის ადმ. ცენტრი. ნავმისადგომი. 45 ათ. მცხ. (1982). სავაჭრო-სატრანსპ. პუნქტი მოსკოვ—ულან-ბატორის რკინიგზაზე. ასანთის ფ-კა, სახლთსაშენი კომბინატი, წისქვილი, ხელოსნობა. ვეტ. ტექნიკუმი. ქალაქი ს.-ბ. დაარსდა 1940. სახელი ეწოდა მონღ. პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწის *სუხე-ბატორის* პატივსაცემად.

სუხიაშვილი კონსტანტინე დავითის ძე (5. V. 1902, სოფ. საწაბლე, ზესტაფონის რ-ნი, — 3. V. 1955, მოსკოვი), კონტრადმირალი (15. V. 1945). სკკპ წევრი 1927-იდან, დაამთავრა ქუთ. გიმნაზია (1918), ლენინგრ. უმაღლესი სამხ.-საზღვ. სასწავლებელი (1925), გენშტაბის აკადემია (1955). დიდ სამამულო ომში (1941—45) იბრძოდა მოსკ. მისადგომებთან, თავი გამოიჩინა ვორონეჟისა და როსტოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. 1944-იდან აქტიურად მონაწილეობდა საზღვ. ბაზების აღდგენაში. დაჯილდოებულია ორი წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

სუხინიჩი, ქალაქი რსფსრ კალუგის ოლქში. სუხინიჩის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო ხაზების კვანძი. ავტოსარემონტო, აგურის, ბოსტნეული კონცენტრატების, ლუდის ქ-ნები, პლასტმასის, სამკერვალო ფ-კები. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები.

სუხიშვილი ვლადიმერ (ლადო) პავლეს ძე (1888, სოფ. მამკოდა, თბილისის მაზრა, ახლანდ. მცხეთის რ-ნი, — 1938), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. კომპარტიის წევრი 1904-იდან. არალეგალურ რევ. მოღვაწეობაში

ჩაება 900-იან წლებში თბილ. საზეინკლო სახელოსნოში მუშაობისას. 1905—07 რევ. დროს აქტიურად მონაწილეობდა თბილ. მუშათა პოლიტ. გაფიცვებსა და რევ. ცამოსვლებში. არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1913 ბოლშევიკების თბილ. საქალაქო კომიტეტის წევრად აირჩიეს, 1917 აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1918 იყო დუშეთის მაზრის გლეხთა ავჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივანი. 1920-იდან — თბილ. ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სხვადასხვა პასუხსაგებ პარტ. და საბჭ. სამუშაოზე იყო. 1930 აირჩიეს საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივნად; 1931 საქართვ. სახკომსაბჭოს თავ-რე იყო. საკ. კპ (ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის წევრი, საქ. სსრ ცაკის, ასფსრ ცაკისა და სსრკ ცაკის წევრი.

ს. კვაჭაძე.

სუხიშვილი თენგიზ ილიას ძე (დ. 21. VII. 1938, თბილისი), ქართველი მოცეკვავე, ქორეოგრაფი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1971). ი. *სუხიშვილისა* და ნ. *რამიშვილის* ვაჟიშვილი. 1953-იდან საქ. სსრ ქართ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის წამყვანი სოლისტი. 1969-იდან ანსამბლის ქორეოგრაფი. 1958-იდან —სამხატვრო ხელმძღვანელი (ნ. რამიშვილთან ერთად). აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული სოლო პარტიები ცეკვებში „სიმდი", „ქაჯეთის აღება", „ხონგა", „ხევსურული", „შეჯიბრი" და სხვ. დადგმები: „ხონგა", „მხედრული", „მთიულური", „შეჯიბრი", „გამარჯვება", „ანანური", ქორეოგრაფიული კომპოზიცია „სა-კოლმეურნეო" და სხვ.

სუხიშვილი ილია (ილიკო) ილიას ძე [22. III (4. IV). 1907, თბილისი, —24. III. 1985, იქვე], ქართველი მოცეკვავე, ბალეტმაისტერი. სსრკ სახ. არტისტი (1958). სკკპ წევრი 1944-იდან. 1926 დაამთავრა ქართ. ხალხ. ცეკვების სტუდია, პარალელურად მეცადინეობდა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო სკოლაში (1916—21 მ. პერინის სტუდია). 1926-იდან იყო ამავე თეატრის მოცეკვავე, 1928—32, 1935—39 და 1941—45 სოლისტი მოცეკვავე და ქართ. ცეკვების დამდგმელი.

1933—35 ოსტატობას სრულყოფდა დიდ თეატრში (კ. გალეზოვსკისთან). 1939—41 საბჭ. არმიის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის სოლისტი. 1937 აღმ. საქართვ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი და მოცეკვავე (ხელმძღვ. ს. კავსაძე). 1945-იდან ნ. *რამიშვილთან* ერთად ჩამოაყალიბა ქართ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლი (1970-იდან აკადემიური). იყო ამ ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირექტორი, 1954-მდე კი სოლისტი მოცეკვავე იყო. საუკეთესო დადგმები: „ფარცა", „ხორუმი", ქართული და ხევსურული სიუიტები, „ქართული", ქორეოგრაფიული კომპოზიცია რუსთაველის ვეფხისტყაოსნის მიხედვით და სხვ. ესტრადის მსახიობთა საკავშ. (1959) და ხალხ. ცეკვების შემსრულებელთა საერთაშ. (ლონდონი, 1935) კონკურსების ლაურეატი. სსრკ სახელმწ. პრემია (1949). შ. რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია (1972). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, რუმინ. ოქროს ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

სუხოდოლსკი, ქალაქი (1972-იდან) უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში. რკინიგზის სადგ. კრასნოდონი. იღებენ ქვანახშირს. არის ორი მამდიდრებელი ფ-კა.

სუხოვი ლევ ალექსანდრეს ძე (12 XI. 1912 — 7. VII. 1981, თბილისი), საბჭ. ოპერატორი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1936 დაამთავრა „სახკინმრეწვთან" არსებული ოპერატორის ასისტენტთა კურსები და ამავე წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში". გადაიღო ფილმები „მაგდანას ლურჯა" (1956), „მამლუქი" (1958), „განაჩენი" (1959), „უდიპლომო სასიძო" (1961), „აბესალომ და ეთერი" (1966), „განგაში" (1968). გადაღებული აქვს აგრეთვე დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმები.

სუხოვო-კობილინი ალექსანდრე ვასილის ძე [17 (29). IX. 1817, მოსკოვი, — 11 (24). III. 1903, ბოლიე, საფრანგეთი], რუსი დრამატურგი. პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1902-იდან). სწავლობდა მოსკოვში, ჰაიდელბერგსა და ბერლინში. პირველი კომედია „კრეჩინსკის ქორწილი" (1852—54) რუს თავადაზნაურთა მორალურ დეგრადაციას ასახავდა. ცენზურამ აკრძალა მისი სატირული დრამა „საქმე", რ-იც გამოქვეყნდა 1869. ამავე წელს ს.-ქ-მა დაამთავრა კომედია „ტარელკინის სიკვდილი", რ-შიც ამათრახებდა პოლიციას. ცენზურა დევნიდა მის პიესებს, რ-თა სრულ ტექსტს მაყურებელი მხოლოდ 1917 შემდეგ გაეცნო.

თხზ.: Трилогия, М., 1966.

სუხოი პავლე ოსიპის ძე [10 (22). VII. 1895, სოფ. გლუბოკოე, ახლანდ. ვიტებსკის ოლქი, — 15. IX. 1975, მოსკოვი], საბჭ. ავიაკონსტრუქტორი, ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1957, 1965), ტექ. მეცნ. დოქტორი (1940), გენ. კონსტრუქტორი (1956). ა. *ტუპოლევის* საერთო ხელმძღვანელობით შექმნა გამანადგურებლები: ი-4 (1926—27) და ი-14 (1932—34). კონსტრუქტორია თვითმფრინავებისა: რდ (ანტ-25) და „როდინა" (ანტ-37). შექმნა მრავალმიზნობრივი საბრძოლო თვითმფრინავი სუ-2. 1939-იდან იყო საცდელი საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი. 1942—43 შექმნა ჯავშნიანი მოიერიშე სუ-6. ს. რეაქტიული და ზებგერითი ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან დაამუშავა რეაქტიული თვითმფრინავების კონსტრუქციები: სუ-9, სუ-15 და სხვ., ისრისებრ- და სამკუთხედფრთიანი ზებგერითი გამანადგურებლები. ს-ს კონსტრუქციის თვითმფრინავებით (ტ-431 და ტ-405) დამყარებულია სიმაღლის 2 მსოფლიო რეკორდი (1959, 1962) და სიჩქარის 2 მსოფლიო რეკორდი (1960, 1962). სსრკ მე-5—8 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მინიჭებული აქვს ლენინური პრემია (1968) და სსრკ სახელმწ. პრემიები (1943, 1975, სიკვდილის შემდეგ). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

სუხრა, სოფელი წულუკიძის რ-ნში (მათხოჯის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 360 *მ*, წულუკიძიდან 11 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*. მათხოჯის ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი.

სუჯები, ჰერული მოდგმის ტომი. ქართ., სომხ. და ანტ. წყაროებით (ლეონტი მროველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ", დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მოვსეს ხორენაცი, ეღიშე, უხტანესი, მხითარ აირივანელი, პლინიუსი). ს. მოსახლეობდნენ მდ. ივრის შუა დინების აუზში. ანტ. ხანის მწერლების მიერ მოხსენიებული „სოდები" (Sodi) და სომხ. წყაროების „წოდები" ქართ. წყაროების „სოჯები" ანუ „ს." უნდა იყვნენ. ს-ის პოლიტ. და კულტ.-ეთნ. შერწყმა აღმოსავლურ ქართულ ტომებთან — ქართებთან და კახებთან — ძალზე ადრე დაიწყო. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ეს პროცესი ძვ. ჯ. III საუკუნის დასაწყისიდან. ამ დროს წარმოიქმნა ქართლის (იბერია) სახელმწიფო, რ-იც მონათესავე და უშუალოდ მოსაზღვრე პერიული მოდგმის ტომებს თავისი გავლენის სფეროში აქცევდა. ახ. წ. IV ს-თვის ეს პროცესი ძირითადად დასრულდა. ქართ-კახებთან კულტ.-ეთნ. და პოლიტ. შერწყმა განსაკუთრებით განამტკიცა პერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობისა და ქართ. ეკლესიის გავლენის გავრცელებამ.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგნ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.



თ. სუხიშვილი.

სუჯოუ, უსიანი, ქალაქი ჩინეთში, ძიანსუს პროვინციაში, თაიხუს ტბის მახლობლად, დიდ არხზე. 670 ათ. მცხ. (1982). სამდ. ნავსადგური და რკინიგზის სადგური ნანკინ—შანხაის ხაზზე. აბრეშუმის მრეწვ. და სხვადასხვაგვარი შინამრეწველური წარმოების დიდი ცენტრი. ქიმ., ქაღალდის, კეცების მრეწვ. საწარმოები. საავიაციო და პედ. ინ-ტები.

აშენდა ძვ. წ. VI ს. დასასრ. — V ს. დასაწყისში და ეწოდა ტაიჩენი. ახლანდ. სახელწ. მიიღო სუის დინასტიის (581—618) დროს. მოგვიანებით ერქვა სხვა სახელებიც (პინძიანი, უსიანი). სუნის დინასტიის პერიოდში (960—1279) საოლქო ცენტრი იყო, ცინის დინასტიის (1644—1911) დროს — ძიანსუს პროვ. მთავარი ქალაქი. შუა საუკუნეებში სავაჭრო, ბამბეულისა და აბრეშუმის წარმოების დიდი ცენტრი იყო.

ს-ში არის ბევრი ძველებური პარკი. ხუროთმოძღვრული ძეგლები: ციხესიმაგრის კედლები (1360, რესტავრირებულია XV—XVIII სს-ში); პაგოდები — 13-იარუსიანი ფუნიგუანტა (III ს., გადაკეთებულია 904), 7-იარუსიანი ხუციუტა (VII ს., გადაკეთებულია X ს-ში) და სხვ.



ი. სუხიშვილი.

სუჯუნა, სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., მეორე ეწერი, პირველი ეწერი, წალიკარი). ზ. დ. 15 *მ*, აბაშიდან 6 *კმ*. მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. და საშ. სკოლები, კულტსახლი (კინოდანადგარი), 2 ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სუკაბი, ქალაქი ეგვიპტეში, სუჰაგის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი. 102 ათ. მცხ. (1976). რკინიგზის სადგური. ნავსადგური მდ. ნილოსის მარცხ. ნაპირზე. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. ბამბასაწმენდი, კეების, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა.




ი. სუხიშვილი ასრულებს ცეკვა „ქართულს".

სუკარტო (Suharto) (დ. 8. VI. 1921, კემუსუ, ჯოკიაკარტის ახლოს), ინდონეზიის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი. მონაწილეობდა ჰოლანდ. კოლონიზატორთა წინააღმდეგ 1945—49 ინდონეზ. ხალხის შეიარაღებულ ბრძოლაში. ომის დამთავრების შემდეგ ეკავა მაღალი სამეთაურო და საშტაბო თანამდებობები ინდონეზ. არმიაში. 1963—65 სახმელეთო ძალების სტრატეგიული რეზერვის ჯარების მეთაური. 1966-იდან აღმასრ. ხელისუფლების მეთაური. 1967 თებ-იდან ასრულებდა ინდონეზ. პრეზიდენტის მოვალეობას, 1968 მარტიდან არის ინდონეზ. პრეზიდენტი.


სუპრავარდი პუსეინ შაჰიდ (1893, მიდნაპური, ბენგალი, — 5. XII. 1963, ბეირუთი, ლიბანი), პაკისტანის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მიიღო იურიდ. განათლება დიდ ბრიტანეთში. იყო ხალიფატური მოძრაობის მონაწილე. 1937—46 მინისტრი და 1946—47 მთავარი მინისტრი ბენგალის მთავრობაში. 1950 მარტში სათავეში ჩაუდგა სახ. მუსლ. ლიგას (შემდგომში სახ. ლიგა). 1954 დეკ.— 1955 აგვ. იუსტიციის მინისტრი, 1956 სექტ. — 1957 ოქტ. პაკისტ. პრემიერ-მინისტრი. 1958 სახელმწ. გადატრიალების




პ. სუხოი.




სფერო.




სფერული გეომეტრია.




სფერული კოორდინატები.



სფერული სეგმენტი.



ა



ბ

სფერული სექტორი.

შემდეგ აეკრძალა პოლიტ. მოღვაწეობა. 1962—63 მთავრობის ოპოზიციაში მყოფი დაჯგუფების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

სფალერიტი (<ბერძნ. sphaleros—მატყუარა), სულფიდების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა ZnS. იზომორფული მინარევებია: Fe, Mn, Cd, Ga, Ge, In, Co, Ag. კრისტალდება კუბურ სინგონიაში. აგრეგატები მარცვლოვანი აქვს, კრისტალები — ტეტრაედრული ან დოდეკაედრული. ქიმიურად სუფთა ს. უფერულია (კლეოფანი), რკინიანი ს-ის ფერი (რკინის რაოდენობის მიხედვით) იცვლება ყავისფერიდან შავამდე (მარმატიტი). ელვარებს ალმასისებურად. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3,5—4,0; სიმკვრივე 3900—4100 *კგ/სმ*³. წარმოიქმნება ჰიდროთერმულ და დანალექ საბადოებში. ს. თუთიის ძირითადი მადანია.

სფენი (<ბერძნ. sphēn — სოლი), ტიტანიტი, სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $CaTi[SiO_4]O$, მინარევებია: Fe^{2+}, Fe^{3+}, Mn, იშვიათ მიწათა ელემენტები და სხვ. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. კრისტალები სოლისებრი აქვს, აგრეგატები — მარცვლოვანი. ყვითელი, ყავისფერი, მწვანე, ზოგჯერ შავი ან მოწითალო ფერისაა. ელვარებს ალმასისებურად. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 5—6; სიმკვრივე 3300—3600 *კგ/სმ*³. ს. მაგმური ქანების აქცესორული მინერალია. ტიტანის ერთ-ერთი მადანია.

სფერო (< ბერძნ. sphaira — ბურთი), 1. ჩაკეტილი ზედაპირი, რ-ის ყოველი წერტილი თანაბრადაა დაშორებული ერთი წერტილიდან (ს-ს ცენტრი). უწოდებენ აგრეთვე სფერულ ზედაპირს. მონაკვეთს, რ-იც აერთებს ს-ს ცენტრს მის რომელიმე წერტილთან (აგრეთვე ამ მონაკვეთის სიგრძეს), ეწოდება ს-ს რადიუსი. ს-ს ფართობი $S=4\pi R^2$, სადაც R ს-ს რადიუსია. ანალიზური გეომ. თვალსაზრისით, ს. არის მე-2 რიგის ცენტრ. ზედაპირი, რ-ის განტოლებას მართკუთხა კოორდინატებში აქვს შემდეგი სახე: $(x-a)^2+(y-b)^2+(z-c)^2=R^2$, სადაც a, b, c ს-ს ცენტრის კოორდინატებია, ხოლო R — რადიუსი.

2. სფერული ზედაპირით შემოსაზღვრული და ცენტრის მომცველი სივრცის ნაწილი; უწოდებენ აგრეთვე ბირთვს ან ბურთს. ს. არის იმ სიმრავლეთა წერტილები, რ-თა მანძილი ფიქსირებულ წერტილამდე (ცენტრამდე) არ აღემატება მოცემულ R (ს-ს რადიუსს). ს-ს მოცულობა $V=(4/3)\,\pi R^3$. იხ. აგრეთვე *სფერული გეომეტრია*, *სფერული ტრიგონომეტრია*.

სფეროიდი (*სფერო* და ბერძნ. eidos — სახეობა), მცირედ შეკუმშული ბრუნვის *ელიფსოიდი*, უფრო ზოგადად — ზედაპირი, რ-იც ახლოსაა სფეროსთან.

სფეროლითი (*სფერო* და ... *ლითი*), წმინდა ნემსისებრი კრისტალების მცირე ზომის სფერული რადიალურ-სხივური აგრეგატი. ს-ები სხვადასხვა ზომისაა, აქვს მრავალფეროვანი მინერ. შედგენილობა. გვხვდება მაგმურ (დიაბაზის სხეულების კიდური ნაწილები, ფუძე და მცავა ლავები და სხვ.) და დანალექ ქანებში (კარბონატული, რკინა-მანგანუმიანი, ფოსფატური, ქალცედონური და სხვ.).

სფერული ასტრონომია, ასტრონომიის დარგი, რ-იც შეიმუშავებს მათემატიკურ მეთოდებს *ცის სფეროზე* მნათობების ხილული მდებარეობებისა და მოძრაობების განსასაზღვრავად. ამ მიზნით ცის სფეროზე შემოაქვთ კოორდინატთა ჰორიზ., ეკვატორული და ეკლიპტიკური სისტემები (იხ. *ცის კოორდინატები*). სათანადო სფერულ კოორდინატებს შორის კავშირს ამყარებენ *სფერული ტრიგონომეტრიის* ფორმულების საფუძველზე.

მნათობების ხილული მოძრაობა, რომ მარტივად წარმოიდგინონ, უშვებენ, თითქოს ცის სფერო ბრუნავს აღმ-იდან დასკენ და ამ ბრუნვის კუთხური სიჩქარე სიდიდით ტოლია დედამიწის ღერძული ბრუნვის კუთხური სიჩქარისა. ასეთი წარმოდგენა კარგად ასახავს ცაზე მნათობთა მოძრაობის ხილულ სურათს, რ-იც მბრუნავ დედამიწაზე მყოფ დამკვირვებელს წარმოუდგება. ს. ა-ის იმ ზოგადი ფორმულების საფუძველზე, რ-ებიც აკავშირებენ ჰორიზ. და ეკვატორულ კოორდინატებს, განსაზღვრავენ ციური სხეულების ამოსვლისა და ჩასვლის მომენტებს, სათანადო წერტილთა აზიმუტებს, კულმინაციის, პირველ ვერტიკალზე გავლისა და ელონგაციის მომენტებს, აგრეთვე მნათობთა მდებარეობებს დროის მოცემულ მომენტებში. ს. ა-ის ფორმულებს იყენებენ აგრეთვე ასტრონ. დაკვირვებების საფუძველზე დედამიწის წერტილების გეოგრ. კოორდინატების განსასაზღვრავად, დაბნელებათა თეორიაში (მაგ., მზისა და მთვარის დაბნელების მახასიათებლების წინასწარი გამოთვლისათვის) და სხვ. ს. ა. განიხილავს აგრეთვე მზის სისტემის სხეულების ზედაპირზე წერტილთა კოორდინატების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგ., მთვარის შემთხვევაში ითვალისწინებენ მის ლიბრაციას), რაც მეტად აქტუალურია კოსმონავტიკის განვითარებისათვის. ს. ა-ის მეთოდებს ფართოდ იყენებენ *პრაქტიკულ ასტრონომიაშიც*.

ს. ა. პერიოდულ ასტრონ. მოვლენებზე (დედამიწის ღერძული და მზის გარშემო ბრუნვა) დაყრდნობით გვაძლევს დროის ალრიცხვის (იხ. *დრო*) თეორ. საფუძველს. ს. ა-ში გამოიყენება დროის სხვადასხვა ერთეული და განიხილება მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ძირითადი ერთეულებია ვარსკვლავიერი დღე-ღამე და საშუალო მზისიერი დღე-ღამე, რ-ებიც დედამიწის ბრუნვით განისაზღვრება. პირველი დაკავშირებულია გაზაფხულის *ბუნიობის* წერტილთან, მეორე — *საშუალო მზესთან*. გაზაფხულის ბუნიობის წერტილი *პრეცესიისა* და *ნუტაციის* გამო წინსვლითს მოძრაობას ასრულებს და ამავე დროს ირხევა საშ. მდებარეობის მიმართ. ამასთან დაკავშირებით განიხილება ჭეშმარიტი, კვაზიჭეშმარიტი და საშ. ბუნიობის წერტილები. პირველ შემთხვევაში ითვალისწინებენ პრეცესიასა და სრულ ნუტაციას, მეორეში — პრეცესიასა და გრძელპერიოდიან ნუტაციას, მესამეში — მხოლოდ პრეცესიას. ამის მიხედვით განასხვავებენ ჭეშმარიტ, კვაზიჭეშმარიტსა და საშ. ვარსკვლავიერ დღე-ღამეს.

დროის დიდი შუალედების გასაზომად იყენებენ დღე-ღამეზე უფრო დიდ ერთეულს — მზის გარშემო დედამიწის გარემოქცევის პერიოდს (იხ. სტ. *კალენდარი*). დროის შუალედს საშ. გაზაფხულის ბუნიობის წერტილში მზის ორ თანამიმდევრულ გავლას შორის *ტროპიკული წელიწადი* ეწოდება. იგი არ შეიცავს საშ. დღე-ღამეების მთელ რიცხვს. კალენდარული წლის ხანგრძლივობის სათანადო შერჩევით (365 ან 366 *დღ-ღ*) აღწევენ იმას, რომ კალენდარული წლის საშ. ხანგრძლივობა, დროის დიდ შუალედზე გამოთვლილი, ახლოს იყოს ტროპ. წელიწადის ხანგრძლივობასთან. ასტრონომიაში დროს აღრიცხავენ ტროპ. წელიწადით, კალენდარული წელიწადით, რ-ის საშ. ხანგრძლივობა 365,25 დღე-ღამეა, ან დღე-ღამეების მიმდევრობითი ათვლით (იხ. *იულიუსისეული პერიოდი*).

ცის ეკვატორის სიბრტყე, *ეკლიპტიკის* სიბრტყე და გაზაფხულის ბუნიობის წერტილი, პრეცესიასა და ნუტაციასთან დაკავშირებით განუწყვეტლივ იცვლიან მდებარეობას, რის შედეგად იცვლება მნათობთა ეკვატორული და ეკლიპტიკური კოორდინატები. ამის გამო მნათობზე სხვადასხვა მომენტში ჩატარებული დაკვირვებები განსხვავებულ სისტემებს შეესაბამება და საჭიროებენ რედუქციას — დაყვანას ერთსა და იმავე სისტემაზე, რ-იც გარკვეულ ეპოქას — დროის ფიქსირებულ მომენტს — შეესაბამება.

ასტრონ. დაკვირვებათა საშუალებით განსაზღვრული მნათობების სფერული კოორდინატები დამახინჯებულია რამდენიმე მიზეზით. ესენია *სინათლის რეფრაქცია*, *პარალაქსი* და *აბერაცია სინათლისა*. ამის გამო დაკვირვების მომენტებში მნათობები მოჩანს არა იქ, სადაც ისინი მდებარეობენ, არამედ სხვა მიმართულებით. ამგვარად, დაკვირვებებიდან უშუალოდ გაზომვებით მიღებული კოორდინატები საჭიროებს შესწორებებს. მათ გამოსათვლელად სარგებლობენ ასტრონ. მუდმივებით, რ-თა განსაზღვრა დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე ს. ა-ის ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია ცის მექანიკის გამოუყენებლად, იგი უკავშირდება აგრეთვე ფუნდამენტურ ასტრონომიასა და დედამიწის აგებულების შესწავლას. ასტრონ. წელიწდეულში ქვეყნდება სპეც. „სარედუქციო სიდიდეები" პრეცესიის, ნუტაციის, აბერაციის გასათვალისწინებლად, აგრეთვე ისეთი სიდიდეები, რ-ებიც საჭიროა ასტრონ. დაკვირვებათა დასამუშავებლად.

ლიტ.: ბენაშვილი ა., სფერული ასტრონომია, თბ., 1938; Блажко С. Н., Курс сферической астрономии, 2 изд., М., 1954; Куликов К. А., Курс сферической астрономии, М., 1969.

სფერული გეომეტრია, მათემატიკური დისციპლინა, რ-იც შეისწავლის გეომეტრიულ ფიგურებს სფეროზე, მსგავსად პლანიმეტრიისა, რ-იც შეისწავლის სიბრტყეზე მდებარე გეომ. სახეობებს.

ყოველი სიბრტყე, რ-იც სფეროს კვეთს, კვეთაში იძლევა რომელიმე წრეწირს. თუ მკვეთი სიბრტყე გადის O ცენტრზე, მაშინ კვეთაში მიიღება ე. წ. დიდი წრეწირი. სფეროს ყოველ *A* და *B* წერტილზე (ნახ. 1), გარდა დიამეტრულად საწინააღმდეგო წერტილებისა, შეიძლება გავავლოთ ერთადერთი დიდი წრეწირი. სფეროს დიდი წრეწირები წარმოადგენენ მის გეოდეზიურ წირებს. ამიტომ ს. გ-ში ასრულებენ პლანიმეტრიაში წრფეების ანალოგიურ როლს. ხშირ შემთხვევაში ს. გ. განსხვავებულია პლანიმეტრიისაგან. წრფის ნებისმიერი მონაკვეთი ყოველთვის უმოკლესია მის ბოლოებს შორის, სფეროზე დიდი წრის რკალი კი უმოკლესია მაშინ, თუ ის დაბატებით რკალზე მოკლეა. ს. გ. განსხვავდება პლანიმეტრიისაგან სხვა მხრივაც. მაგ., ს. გ-ში არ არსებობს პარალელური გეოდეზიური წესები: ორი დიდი წრე ყოველთვის გადაიკვეთება ორ წერტილში.

სფეროზე *AB* მონაკვეთის სიგრძეს, ე. ი. *AmB* რკალის სიგრძეს (ნახ. 1), ზომავენ მისი შესაბამისი პროპორციული *AOB* ცენტრალური კუთხით. *ABC* კუთხე (ნახ. 2), რ-იც წარმოქმნილია სფეროზე ორი დიდი წრეწირის რკალებით, იზომება რკალების გადაკვეთის წერტილში გავლებულ მხებებს შორის *A′ B C′* კუთხით ან *OBA* და *OBC* სიბრტყეებით წარმოქმნილი ორწახნაგა კუთხით.

ორი დიდი წრეწირის გადაკვეთისას შეიქმნება ოთხი სფერული ორკუთხედი (ნახ. 3). სფერული ორკუთხედი განისაზღვრება თავისი კუთხით. მის ფართობს განსაზღვრავენ ფორმულით: $S=2R^2A$, სადაც R სფეროს რადიუსია, A — ორკუთხედის კუთხე, გამოსახული რადიანებში.

სამი დიდი წრეწირი, რ-ებიც არ იკვეთებიან დიამეტრულად საწინააღმდეგო წერტილის ერთ წერტილში, შეადგენს 8 სფერულ სამკუთხედს (ნახ. 4). სამკუთხედს, რ-ის ყველა გვერდი ნაკლებია დიდი წრეწირის ნახევარზე, უწოდებენ ეილერის სამკუთხედს. სფერული სამკუთხედის *a*, *b*, *c*

გეერდები იზომება სამწახნაგა კუთხის $OABC$ ბრტყელი კუთხეებით (ნახ. 5), ხოლო სამკუთხედის A, B, C კუთხეები— ამავე სამწახნაგა კუთხის ორწახნაგა კუთხეებით. სფერული სამკუთხედის თვისებები განსხვავდება სიბრტყეზე მდებარე სამკუთხედების თვისებებისაგან. მაგ., სამკუთხედების ტოლობის ცნობილ სამ შემთხვევას სიბრტყეზე სფერული სამკუთხედებისათვის ემატება მეოთხე: ორი სამკუთხედი ტოლია, თუ ტოლია შესაბამისი კუთხეები (სფეროზე მსგავსი სამკუთხედები არ არსებობს), სამკუთხედებს ეწოდება ტოლი, თუ მათი შეთავსება შეიძლება სფეროზე გადანაცვლებით. აქედან გამომდინარეობს, რომ ტოლ სფერულ სამკუთხედებს აქვთ ტოლი ელემენტები და ერთნაირი *ორიენტაცია*. სამკუთხედებს, რ-თაც აქვთ ტოლი ელემენტები და სხვადასხვა ორიენტაცია, ეწოდებათ სიმეტრიული, მაგ., სამკუთხედები $AC'C$ და BCC' (ნახ. 6). ყოველ სფერულ ეილერის სამკუთხედში ყოველი გვერდი ნაკლებია დანარჩენი ორი გვერდის ჯამზე და მეტია დანარჩენი ორის სხვაობაზე. სამივე გვერდის ჯამი ყოველთვის ნაკლებია 2π-ზე. სფერული სამკუთხედის კუთხეების ჯამი ნაკლებია 3π-ზე და მეტია π-ზე. სხვაობას $s-\pi=\varepsilon$, სადაც s სფერული სამკუთხედის კუთხეების ჯამია, ეწოდება **სფერული ნაჭარბი**. სფერული სამკუთხედის ფართობი $S=R^2\varepsilon$, სადაც R სფეროს რადიუსია (იხ. აგრეთვე *სფერული ტრიგონომეტრია*).

ყოველი წერტილის მდებარეობა სფეროზე განისაზღვრება ორი რიცხვით. ეს რიცხვები (კოორდინატები) შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად: აფიქსირებენ (ნახ. 7) ერთ დიდ წრეს QQ' (**ეკვატორს**), სფეროს PP' დიამეტრთან (რ-იც ეკვატორის სიბრტყის პერპენდიკულარულია) გადაკვეთის P წერტილს (**პოლუსს**) და ერთ-ერთ დიდ ნახევარწრეს PAP', რ-იც გამოდის პოლუსიდან (**ნულოვან მერიდიანს**). სფეროს დიდ ნახევარწრეებს, რ-ებიც გამოდიან P-დან, ეწოდებათ **მერიდიანები**, ხოლო მის მცირე წრეებს, რ-ებიც ეკვატორის პარალელური არიან, — **პარალელები**. სფეროზე მდებარე M წერტილის ერთ-ერთ კოორდინატად მიიღება $\theta=POM$ კუთხე (**ოლარული მანძილი**), მეორე კოორდინატად $\varphi=AON$ კუთხე ნულოვან მერიდიანსა და M წერტილზე გამავალ მერიდიანს შორის (**გრძედი**, ათვლილი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით).

სფეროზე კოორდინატების შემოტანით შეიძლება სფერული ფიგურების შესწავლა ანალიზური გეომ. მეთოდებით. მაგ., ორი განტოლება $\theta=f(t)$, $\varphi=g(t)$ ან ერთი განტოლება $F(\theta,\varphi)=0$ θ და φ კოორდინატებს შორის განსაზღვრავს გარკვეულ წირს სფეროზე. ამ წირის M_1M_2 რკალის სიგრძე განისაზღვრება ფორმულით:

$$L=\int_{t_1}^{t_2}\sqrt{\left(\frac{df}{dt}\right)^2+\left(\sin f\frac{dg}{dt}\right)^2}\,dt,$$

სადაც t_1 და t_2 t პარამეტრის მნიშვნელობებია. ეს მნიშვნელობები შეესაბამება M_1M_2 რკალის M_1 და M_2 ბოლოებს (ნახ. 8).

ლიტ.: Степанов Н. Н., Сферическая тригонометрия, 2 изд., Л.—М., 1948.

სფერული ზედაპირი, იგივეა რაც *სფერო*.

სფერული კოორდინატები M წერტილისა, r, θ, φ რიცხვები, რ-ებიც განისაზღვრება შემდეგნაირად: მოცემულ ფიქსირებულ O წერტილზე (ნახ.) ატარებენ სამ ურთიერთმართობულ ღერძს Ox, Oy, Oz. რიცხვი r ტოლია მანძილისა O წერტილიდან M წერტილამდე, θ კუთხეა $\overrightarrow{OM}$ ვექტორსა და Oz ღერძის დადებით მიმართულებას შორის, φ არის კუთხე, რ-ზედაც უნდა მობრუნდეს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ნახევარღერძი Ox იმისათვის, რომ შეუთავსდეს $\overrightarrow{ON}$ ვექტორს (N არის M წერტილის გეგმილი xOy სიბრტყეზე). ამრიგად, M წერტილის ს. კ. დამოკიდებულია O წერტილისა და Ox, Oy და Oz ღერძების შერჩევაზე. კავშირი ს. კ-სა და მართკუთხა კოორდინატებს შორის გამოისახება ფორმულებით.

$x=r\sin\theta\cos\varphi, y=r\sin\theta\sin\varphi, z=r\cos\theta.$

ს. კ-ს ფართოდ იყენებენ მათემატიკასა და სხვა დარგებში.

სფერული სამკუთხედი, იხ. სტ. *სფერული ტრიგონომეტრია*.

სფერული სარტყელი, იხ. *სფერული შრე*.

სფერული სეგმენტი, სფეროს ნაწილი, რ-იც მოკვეთილია რომელიმე სიბრტყით (იხ. ნახ.). ს.ს-ის მოცულობა $V=\pi h^2(3R-h)/3$, ხოლო გვერდითი ზედაპირი $S=2\pi Rh$, სადაც R სფეროს რადიუსია, h— ს. ს-ის სიმაღლე.

სფერული სექტორი, გეომეტრიული სხეული, რ-იც მიიღება *სექტორის* ერთ-ერთი რადიუსის გარშემო (I გვარის ს. ს., ნახ. ა) ან მისი რკალის არაგადამკვეთი დიამეტრის ირგლივ (II გვარის ს. ს., ნახ. ბ) ბრუნვით. ს. ს-ის მოცულობა $V=2\pi R^2h/3$; I გვარის ს. ს-ის ზედაპირი $S_1=\pi R(2h+a)$, ხოლო II გვარის ს. ს-ის ზედაპირი $S_2=\pi R(2h+a+b)$, სადაც R სექტორის რადიუსია, h — სექტორის რკალის მომჭიმი ქორდის გეგმილი ბრუნვის ღერძზე, a და b — მანძილები ქორდის ბოლოებიდან ამ ღერძამდე.

სფერული ტრიგონომეტრია, მათემატიკური დისციპლინა, რ-იც შეისწავლის დამოკიდებულებას სფერული სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის (იხ. *სფერული გეომეტრია*). ვთქვათ, A, B, C კუთხეებია, ხოლო a, b, c — მათ პირდაპირ მდებარე გვერდები ABC სფერული სამკუთხედისა (იხ. ნახ. 1). კუთხეები და გვერდები დაკავშირებულია შემდეგი ძირითადი ფორმულებით:

$$\frac{\sin a}{\sin A}=\frac{\sin b}{\sin B}=\frac{\sin c}{\sin C}, \quad (1)$$

$$\cos a=\cos b\cos c+\sin b\sin c\cos A, \quad (2)$$

$$\cos A=-\cos B\cos C+\sin B\sin C\cos a, \quad (3)$$

$$\sin a\cos B=\cos b\sin c-\sin b\cos c\cos A, \quad (4)$$

$$\sin A\cos b=\cos B\sin C+\sin B\cos C\cos a, \quad (5)$$

$$\sin a\operatorname{ctg} b=\sin C\operatorname{ctg} B+\cos a\cos C, \quad (6)$$

$$\sin a\operatorname{ctg} c=\sin B\operatorname{ctg} C+\cos a\cos B. \quad (7)$$

ამ ფორმულებში a, b, c გვერდები იზომება შესაბამისი ცენტრ. კუთხეებით. ამ გვერდების სიგრძეები უდრის შესაბამისად aR, bR და cR, სადაც R სფეროს რადიუსია. თუ კუთხეებისა და გვერდების აღნიშვნებს შევცვლით წრიული გადანაცვლების წესის მიხედვით [$A\to B\to C\to A(a\to b\to c\to a)$], მაშინ შეიძლება დავწეროთ ს. ტ-ის სხვა ანალოგიური ფორმულებიც. ს. ტ-ის ფორმულებით შესაძლებელია სფერული სამკუთხედის ნებისმიერი სამი ელემენტის მიხედვით განვსაზღვროთ სამი დანარჩენი ელემენტი (**სამკუთხედის ამოხსნა**).

მართკუთხა სფერული სამკუთხედებისათვის ს. ტ-ის ფორმულები მარტივდება (იხ. ცხრ., ნახ. 2). ამოცანების ამოხსნისას მოსახერხებელია დელამბრის შემდეგი ფორმულები:

$$\sin\frac{1}{2}a\cos\frac{1}{2}(B-C)=\cos\frac{1}{2}A\sin\frac{1}{2}(b-c),$$

$$\sin\frac{1}{2}a\cos\frac{1}{2}(B+C)=\cos\frac{1}{2}A\cos\frac{1}{2}(b-c),$$

$$\cos\frac{1}{2}a\sin\frac{1}{2}(B+C)=\sin\frac{1}{2}A\cos\frac{1}{2}(b+c),$$

$$\cos\frac{1}{2}a\cos\frac{1}{2}(B+C)=\sin\frac{1}{2}A\sin\frac{1}{2}(b+c).$$

ს. ტ. წარმოიქმნა ასტრონომიასთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ბრტყელი *ტრიგონომეტრია*. (1)—(7) ფორმულებით გამოსახული სფერული სამკუთხედების თვისებები და მათი ამოხსნის სხვადასხვა შემთხვევა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ბერძენი მათემატიკოსებისათვის (*მენელაე, პტოლემე*). ს. ტ. შემდგომ განავითარეს *ნასირ ალ-დინ ტუსიმ*, აბუ ლ-ვაფამ, *რეგიომონტანუსმა*, ფ. *ვიეტმა*, ლ. *ეილერმა* და სხვ.

ლიტ.: Вентцель М. К., Сферическая тригонометрия, 2 изд., М., 1948; Новосёлов С. И., Специальный курс тригонометрии, 5 изд., М., 1967.

სფერული ფუნქციები, სპეციალური ფუნქციები, რ-ებსაც იყენებენ ფიზიკური მოვლენების შესასწავლად სივრცულ არეებში, შემოსაზღვრულს სფერული ზედაპირებით და სფერული სიმეტრიის მქონე ფიზ. ამოცანების ამოსახსნელად. ს. ფ. წარმოადგენენ დიფერენც. განტოლების

$$\left[\frac{\partial^2}{\partial t^2}+\operatorname{ctg}\theta\frac{\partial}{\partial\theta}+\frac{1}{\sin^2\theta}\frac{\partial^2}{\partial\varphi^2}+\right.$$
$$\left.+l(l+1)\right]Y(\theta,\varphi)=0$$

ამონახსნებს. ეს განტ. მიიღება r, θ, φ სფერულ კოორდინატებში მოცემული *ლაპლასის განტოლების* ცვლადების განცალკევებით. ამონახსნის ზოგადი სახე:

$$Y_l(\theta,\varphi)=\sum_{m=-l}^{l}a_mY_l^m(\theta,\varphi)\equiv$$
$$\equiv\sum_{m=-l}^{l}a_mP_l^m(\cos\theta)\,e^{im\varphi},$$

a_m მუდმივებია, $P_l^m(\cos\theta)$ — ლეჟანდრის l ხარისხისა და m რიგის მიერთებული ფუნქციები, რ-ებსაც განსაზღვრავენ ტოლობით:

$$P_l^m(x)=(1-x^2)^{m/2}\frac{d^mP_n(x)}{dx^m},$$

სადაც $P_n(x)=\frac{1}{n!\,2^n}\frac{d^n}{dx^n}(x^2-1)^n$

ლეჟანდრის მრავალწევრებია. ს. ფ. შეიძლება განვიხილოთ როგორც ფუნქცია, განსაზღვრული ერთეული სფეროს ზედაპირზე.

$$Y_l^m(\theta,\varphi)=\left[\frac{(2l+1)(l-m)!}{4\pi(l+m)!}\right]^{1/2}Y_l^m(\theta,\varphi)$$


ფუნქციები ადგენენ სრულ ორთონორმირებულ სისტემას სფეროზე და ასრულებენ იმავე როლს, რასაც $\{e^{im\varphi}\}$ ფუნქციები წრეწირზე.

ს. ფ-ს ფართოდ იყენებენ მათ., ფიზიკისა და მექან. საკითხების გადაწყვეტისას.


ს. ფ. შემოღებულია ა. *ლეჟანდრისა* და პ. ლაპლასის მიერ XVIII ს. ბოლოს.

სფერული შრე, სფეროს ნაწილი, რ-იც მოთავსებულია სფეროს გადამკვეთ პარალელურ სიბრტყეებს შორის (იხ. ნახ.). ს. შ-ის მოცულობა $V=\pi h(3a^2+3b^2+h^2)/6$, გვერდითი ზედაპირი (**სფერული სარტყელი**) $S=2\pi Rh$, სადაც R სფეროს რადიუსია, h — ს. შ-ის ფუძეთა სიბრტყეებს შორის მანძილი, a და b კი — ს. შ-ის ფუძეების რადიუსები.


სფიგმოგრაფია (ბერძნ. sphygmos — პულსი და ...გრაფია), ადამიანისა და ცხოველების სისხლის მიმოქცევის გამოკვ-



ნახ. 1. სფერული სამკუთხედი. მიიღება სამი დიდი წრის რკალით, რომლებიც სფეროზე წყვილ-წყვილად აერთებენ რომელიმე სამ წერტილს.









ნახ. 2. მართკუთხა სფერული სამკუთხედი. ამ სამკუთხედის ელემენტთა დამაკავშირებელი ფორმულები მიიღება შემდეგი მნემონიკური წესის მიხედვით: თუ სამკუთხედის კათეტებს შევცვლით მათი დამატებებით და მის ელემენტებს წრეზე დავალაგებთ (მართი კუთხის გამოკლებით) სამკუთხედში მათი დალაგების მიმდევრობის მიხედვით (ე. ი. ასე: **A, C, B, 90°—a, 90°—b**), მაშინ თითოეული ელემენტის კოსინუსი უდრის მიმდებარე ელემენტების კოტანგენსების ან არამიმდებარე ელემენტების სინუსების ნამრავლს. ამ წესის მიხედვით, რომელსაც ნეპერის წესს უწოდებენ, მიიღება (1) — (7) ფორმულიდან და მათი ანალოგებიდან გამომდინარე ძირითადი 10 ფორმულა:

$\sin a=\sin c\sin A$,	(1)
$\sin b=\sin c\sin B$,	(2)
$\cos c=\cos a\cos b$,	(3)
$\cos A=\cos a\sin B$,	(4)
$\cos B=\cos b\sin A$,	(5)
$\cos c=\operatorname{ctg} A\operatorname{ctg} B$,	(6)
$\operatorname{tg} a=\operatorname{tg} c\cos B$,	(7)
$\operatorname{tg} b=\operatorname{tg} c\cos A$,	(8)
$\operatorname{tg} b=\sin a\operatorname{tg} B$,	(9)
$\operatorname{tg} a=\sin b\operatorname{tg} A$.	(10)



სფერული შრე.



ვერცხლისწყლის სფიგმომანომეტრი.

სფრაგისტიკა



როსტომ მეფის ბეჭედი. 1633—57 წწ.



არჩილ მეფის ბეჭედი. 1691 წ.



ვახტანგ VI-ის ძის ბაქარ ბატონიშვილის ბეჭედი. 1717—18 წწ.

ლევის ე. წ. უსისხლო მეთოდი, რ-იც დაფუძნებულია *პულსის* გრაფიკულ რეგისტრაციაზე. პულსის მრუდის (*სფიგმოგრამა*) ჩაწერისათვის იყენებენ გადამწოდებს, რ-ებსაც აფიქსირებენ საძილე არტერიის (ცენტრ. პულსის სფიგმოგრამა, რ-იც უმეტესად ასახავს გულის მარცხ. პარკუჭიდან აორტაში სისხლის გადასროლის პროცესს) ანდა კიდურების ზედაპირულად მდებარე არტერიებს (პერიფერიული პულსის სფიგმოგრამა, რ-იც ასახავს არტერიებში პულსის ტალღის გავრცელებას) ზემოთ. ამ მრუდების სინქრონული ჩაწერა საშუალებას იძლევა გაიზომოს პერიფერიული პულსის ჩამორჩენის დრო ცენტრალურთან შედარებით და განისაზღვროს პულსის ტალღის გავრცელების სიჩქარე. ცენტრ. პულსის სფიგმოგრამისა და ელექტროკარდიოგრამის ერთდროულ ჩაწერას — პოლიკარდიოგრამას — იყენებენ ე. წ. ფაზური ანალიზის მეშვეობით გულის შეკუმშვათა შესასწავლად. ს-ს მიმართავენ გულის ზოგიერთი მანკის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა დაავადებების გამოსაცნობად.

სფიგმომანომეტრი (ბერძნ. sphygmos— სისხლის პულსაცია, პულსი და *მანომეტრი*), ხელსაწყო, რ-იც განკუთვნილია არტერიული სისხლის წნევის არაპირდაპირი გაზომვისათვის. მანომეტრის ტიპის მიხედვით განარჩევენ ვერცხლისწყლის ანუ რივა-როჩის აპარატს (იტალ. პედიატრის S. Riva-Rocci-ს სახელის მიხედვით, რ-მაც 1896 შექმნა ეს აპარატი) და მემბრანულ ს-ს, რ-საც უფრო ხშირად ტონომეტრს უწოდებენ. მანომეტრის გარდა ს-ს აქვს რეზინის სამაჯური, რ-ზეც გადაკრულია მკვრივი ქსოვილის შალითა, აქვს აგრეთვე საჰაერო სარქველებიანი საჭირხნი ბუშტი, სამკაპი და ჰაერის გამოსაშვები ხრახნიანი ვენტილი. არტერიული სისხლის წნევის გაზომვის (იზომება არა მისი აბსოლ. მნიშვნელობა, არამედ მისი ნაჭარბი ატმ. წნევის მიმართ) არაპირდაპირი მეთოდებიდან უმეტესად იყენებენ *აუსკულტაციის* ანუ ბგერით მეთოდს (ნ. კოროტკოვის მიხედვით). ს-ის სამაჯურს შემოახვევენ მხრის გარშემო; მხრის არტერიის მოსაჭერად და მასში სისხლის ნაკადის მოძრაობის შესაჩერებლად სამაჯურში ჩატუმბავენ ჰაერს. ფონენდოსკოპის კაფსულას ადებენ იდაყვის მომხრელ ზედაპირზე (იდაყვის არტერიის მიდამოში) და სამაჯურიდან ნელ-ნელა უშვებენ ჰაერს, რომ განსაზღვრონ მანომეტრის რომელ დანაყოფზე გაისმის ფონენდოსკოპში კოროტკოვის პირველი ტონი. ამ მომენტში წნევა სამაჯურში შეესაბამება სისტოლურ (მაქსიმალურ) სისხლის წნევას მხრის არტერიაში. სამაჯურიდან ჰაერის შემდგომი თანდათანობითი გამოშვებისას ბგერითი ტონები ქრება. ტონების შეწყვეტის მომენტში წნევა სამაჯურში დიასტოლური (მინიმალური) წნევის ტოლია. ს-ის სქემისა და მიკროფონით ბგერითი ტონების განსაზღვრის საფუძველზე შექმნილია ავტომატები მძიმე ავადმყოფების სისხლის წნევის რეგულარულად გასაზომად.

სფინქსი (ბერძნ. Sphinx), ძვ. ეგვიპტეში — ქვის ქანდაკება, ფანტასტიკური არსება (ფარაონის ძლიერების განსახიერება, მფარველი სული) ლომის ტანითა და ადამიანის (ჩვეულებრივ — ფარაონის სახე) ან წმინდა ცხოველის თავით. ჩვენამდე მოღწეულ ს-გან უდიდესია ე. წ. დიდი სფინქსი (კირქვა, ძვ. წ. XXVIII ს. ხეფრენის პირამიდის მახლობლად, გიზა).

სფინქსი, გვინეური პაპიანი (Papio papio), ცხვირვიწრო მაიმუნი პავიანის გვარისა. მისი სხეულის სიგრძე 70 *სმ*, კუდისა — 55 *სმ* აღწევს. წითურ-მურა ფერისაა. გავრცელებულია გვინეასა და სენეგალში. ს-ები ცხოვრობენ ხროვებად — 20—40 ეგზემპლარი ერთად. იკვებებიან მცენარეთა ნაყოფებით, ფესვებით, პატარა-პატარა ცხოველებით, ფრინველებისა და ქვეწარმავლების კვერცხით.

ა. ჯარაშვილი.

სფინქსისებრნი (Sphingidae), ღამის პეპლების ოჯახი. ტანად საშუალო და დიდი მწერებია. ფრენენ 54 *კმ/სთ* სიჩქარით. ფრენისას შეუძლიათ „შეჩერდნენ" ჰაერში და გრძელი ხორთუმით ამოწუწნონ ყვავილის ნექტარი. ს-თა მუხლუხები ფოთლებით იკვებებიან. ოჯახში 1200 სახეობაა. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, უმთავრესად ტროპიკებში. სსრკში 70-მდე სახეობა გვხვდება, საქართველოში 30-მდე. ზამთრობს ჭუპრი (ნიადაგში). ზოგი სახეობა აზიანებს ერთ ან რამდენიმე მონათესავე მცენარეს. საქართველოში ცნობილია მავნებლები: თვალა სფინქსი (Smerinthus ocellatus), *მკვდართავა*, ხაზიანი სფინქსი (Celerio lineata livornia), მცირე სფინქსი (Pergesa elpenor).

სფორცა (Sforza), მილანის ჰერცოგთა დინასტია XV—XVI სს-ში. ფუძემდებელია მუციო ატენდოლო ს. (1369—1424) — რომანიელი გლეხი, რ-საც თავისი ღონის გამო სფორცას (sforzare — ძალით მორევა) უწოდებდნენ. მისი ძე, ფრანჩესკო ს. (1401—66), კონდოტიერი იყო და მილანის ვისკონტების საგვარეულოს უკანასკნელი ჰერცოგის სიძე. 1450 დაიპყრო მილანი და მისი ჰერცოგი გახდა. გააფართოვა მილანის საჰერცოგოს საზღვრები. ს-ები თავიანთ კარზე იწვევდნენ პოეტებს, მხატვრებს. ს-ს საგვარეულოს ცნობილი მოღვაწეები იყვნენ აგრეთვე: გალეაცო მარია ს. (1444—76), მართავდა 1466-იდან, ლოდოვიკო ს., ანუ ლოდოვიკო მორო (1452—1508), მართავდა 1494-იდან, ლოდოვიკო მოროს ვაჟები მასიმილიანო ს. I (1493—1530), მართავდა 1512—15 და ფრანჩესკო II (1495—1535), მართავდა 1521—25. ფრანჩესკო II სიკვდილით ს-ს დინასტია მილანში შეწყდა, ხოლო მილანი 1535 ესპანეთის სამფლობელოებს შეუერთდა.

სფორცანდო (იტალ. sforzando < forzare — ძალების მოკრება; აგრეთვე sforzato, forzato, შემოკლ. sf, sfz, fz), ცალკეული ბგ. ბგერის ან აკორდის უეცარი და მკვეთრი დინამიკური გაძლიერება (აქცენტირება).

სფრაგიდა (<ბერძნ. sphragis—ბეჭედი), მხატვრულ ნაწარმოებში (უპირატესად ლექსში) ავტორის მიერ საკუთარი სახელის, გვარის ანდა ფსევდონიმის მოხსენიება. ს. გვხვდება ანტ., აღმოსავლურ, დასავლეთ ევრ. ლიტ-რაში. მაგ., სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული;
მებაღემ დასწყლა და დაჰკოდა ბულბულის
გული!
მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე,
ჩამიდგი სული,
თუ გინდ მიწასაც მიმაბარე მოყვრის
ენითა!

(ბესიკი, „ბულბული მოდის მწუხარებით").

სფრაგისტიკა (<ბერძნ. sphragis —ბეჭედი), სიგილოგრაფია (ლათ. sigillum — ბეჭედი და ბერძნ. gráphō — ვწერ), ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რ-იც შეისწავლის ბეჭდებს და საბეჭდავებს.

საბეჭდავი წარმოადგენს სხვადასხვა მასალისაგან (ქვა, ლითონი, ძვალი და სხვ.) გაკეთებულ შტამპს, ყალიბს, ხოლო ბეჭედი ეწოდება მის ანაბეჭდს, მიღებულს დაწნეხით პლასტ. მასალაზე (თიხა, ცვილი, ლუქი, ტყვია, ვერცხლი, ოქრო და სხვ.), ან საღებავის საშუალებით ქაღალდზე, ეტრატზე და სხვ. ბეჭედი, როგორც საბუთის უტყუარობის ნიშანი, პირველად გაჩნდა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში აღმოსავლეთის ქვეყნებში (შუმერი, ეგვიპტე და სხვ.). ფართო გამოყენება ჰქონდა ბეჭდებს ეგეოსის სამყაროში და უფრო გვიან — ანტ. საბერძნეთში, რომსა და ახლო აღმოსავლეთში. შუა საუკ. დას. ევრ. ქვეყნებში, ბიზანტიასა და რუსეთში გავრცელებული იყო ე. წ. შეკიდული ბეჭდები. ეს ბეჭდები მიმაგრებული იყო საბუთთან ზონრით. ზოგან (ვატიკანი) შეკიდული ბეჭდები XX ს-მდე შემორჩა.

ს., როგორც მეცნიერება, პირველ ხანებში ჩამოყალიბდა როგორც *დიპლომატიკის* ნაწილი (XVIII ს.). მისი მიზანი იყო დოკუმენტების დათარიღებისა და სინამდვილის დადგენა მათზე დასმული ბეჭდების მიხედვით.

XIX ს. ბოლოდან, მას შემდეგ, რაც დაგროვდა მრავალრიცხოვანი არქეოლ. მასალა, ს-ის განვითარებაში დაიწყო ახ. ეტაპი, ამ დროიდან ს. შეისწავლის ძვ. სახელმწ. ინ-ტების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, სახელმწ. აპარატის ცვლილებებს საბეჭდავების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე. ს-ის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ფრანგ მეცნიერს ვ. შლუმბერჟეს, რუს. ს-ის ფუძემდებელს ნ. ლიხაჩოვს და სხვ.

სფრაგისტიკული მასალა მნიშვნელოვანი წყაროა გამოყენებითი ხელოვნების, *ჰერალდიკის*, *ნუმიზმატიკის*, *ეპიგრაფიკის*, *გლიპტიკის*, ონომასტიკისა და ძვ. არქივების შედგენილობის შესასწავლად.

სსრკ-ში ს-ის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ნოვგოროდისა და ფსკოვის არქეოლ. გათხრებმა.

საქართველოში საბეჭდავები გაჩნდა ძვ. წ. XIV ს-ში (ხოვლეს, გუდაბერტყას, ჭადიჭვრის, უფლისციხისა და სხვ. არქეოლ. მასალა) და, როგორც ჩანს, ფართო გამოყენება ჰქონდა ადრინდ. ანტ. (ძვ. წ. VI—IV სს.) პერიოდიდან. ამ ხანიდან მოკიდებული გვხვდება წარწერიანი (ბერძნ.), მ. შ. მფლობელისსახელიანი საბეჭდავები (ვანის, არმაზისხევის, ზღუდერის, ურბნისის არქეოლ. მასალა). ელინისტური ხანიდან უკვე არის საბეჭდავების პრაქტ. გამოყენების ნივთიერი საბუთები: ანაბეჭდები კავთისხევის „ციხიაგორის" კედლის შელესილობაზე (ძვ. წ. IV—III სს.), თიხის ბულა რომაული საბეჭდავის ანაბეჭდით ურბნისის ნაქალაქარიდან (ახ. წ. II ს.), თიხის ბულები სასანური საბეჭდავების ანაბეჭდებით ურბნისის ნაქალაქარიდან და ყათლანიხევიდან (უფლისციხე, ახ. წ. V—VII სს.), ლითონის შეკიდული ბეჭდები ბერძნ. წარწერებით აფხ. მმართველის კონსტანტინესი (ახ. წ. VII—VIII სს.) და ეპისკოპოს თეოდორესი (ახ. წ. VI—VII სს.) ძვ. პიტიუნტის (ბიჭვინთა) ტერიტორიიდან, პეტრე ეპისკოპოსისა (ახ. წ. VI—VII სს.) ძვ. ანაკოფიიდან (ახალი ათონი), ეგრისის სამეფოს მმართველის სერგი ბარნუკის ძისა (ახ. წ. VII ს. დასასრ. — VIII ს. დასაწყ.) ეგრისის დედაქალაქ არქეოპოლისიდან (ნოქალაქევი, ცხაკაიას რ-ნი).

ქართულწარწერიანი (ლეგენდიანი) საბეჭდავები დღემდე ძალიან მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. მოღწეულია ერთეული ნიმუშები განვითარებული შუა საუკ. ხანიდან; მაგ., გიორგი III-ის (1156—84) წარწერიანი საბეჭდავი-ბეჭედი, ამავე ხანის რამდენიმე საბეჭდავი-ბეჭედი, რ-ებზედაც ამოკვეთილია დაქარაგმებული ასომთავრული წარწერები. არის უფრო მოგვიანო ნიმუშები (XVII და უფრო მეტად XVIII სს.). XIX ს-ში ქართულწარწერიან საბეჭდავებთან ერთად გავრცელდა ევრ. ტიპის რუს. ან ლათინურწარწერიანი, ან მონოგრამებიანი საბეჭდავებიც. ჩვენამდე მოღწეულ საბუთებზე ქართულწარწერიანი ბეჭდების უძველესი ნიმუშები გვხვდება XV ს. 70-იანი წლებიდან.

ბეჭედს, როგორც სიმტკიცის სიმბოლოს, საბუთს უსვამდა ის პირი, რ-იც გარკვეულ მიმართებაში იყო დოკუმენტში

აღნიშნულ იურიდ. აქტთან (საბუთის გამცემში, მისი დამამტკიცებელი, საბუთში აღნიშნული იურიდ. აქტის მოწმე და იშვიათად საბუთის მიმღები). ბეჭდები ჰქონდათ მეფეებს, სამეფო საგვარეულოს წევრებს, დიდგვარიან ფეოდალებს— სხვადასხვა, თანამდებობის პირებს, თავადებს, აზნაურებს, ეკლესიის მსახურებს, აგრეთვე მოქალაქეებსა და ვაჭარ-ხელოსნებს.

ქართ. ბეჭდები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ფორმით (ოთხკუთხა, რვაკუთხა, მრგვალი და ოვალური, ნუშის ფორმის, გუმბათისებური), დამწერლობით (ასომთავრული, მხედრული) და ლეგენდების შინაარსით.

ბეჭდის დასმის ადგილი საბუთებში გარკვეულ წესს მისდევს. ბეჭედს უსვამდნენ დოკუმენტის ბოლოს, მოხსენიებულ პირთა თანამიმდევრობის მიხედვით. არის გამონაკლისებიც.

თითოეულ მოღვაწეს რამდენიმე ბეჭედი ჰქონდა. ბეჭდის მფლობელი მათ ხმარობდა მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტისათვის.

ბეჭდების ლეგენდები საინტერესო ცნობებს იძლევა საქართვ. პოლიტ., სოც. და სამართლის ისტ. შესახებ.

ლიტ.: ბარნაველი ს., საქართველოს სა-ბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, თბ., 1965; ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, ნაწ. 1, თბ., 1978; ჯავახიშვილი ივ., ქართული სიგელ-გუჯრები ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926; Каменцева Е. И., Устюгов Н. В., Русская сфрагистика и геральдика, М., 1974; Янин В. Л., Актовые печати Древней Руси X—XV вв., т. 1—2, М., 1970; Schlumberger G., Sigillographie de l' Empire Byzantin, P., 1884. *ა. ბაქრაძე. ქ. ჯავახიშვილი.*


სძელშენიანი ფოტოფირფიტების მეთოდი, მეთოდი, რ-იც სქელფენიანი ფოტოფირფიტების მეშვეობით *მაიონიზებელი გამოსხივების* რეგისტრაციას ახდენს. დაფუძნებულია იმაზე, რომ დამუხტული ნაწ. ფოტოემულსიაში მოძრაობისას თავის გზაზე მოქმედებს ვერცხლის ბრომიდის მარცვლებზე და ამ მარცვლებს გამომჟღავნების უნარს ძენს. იმისათვის, რომ ტრეკის სიგრძე საკმაოდ დიდი იყოს, იყენებენ ვერცხლის პალოგენიდების ემულსიის ფენებს, რ-თა სისქე შეიძლება ათას *მკმ* აღემატებოდეს. ტრეკის სიგრძის, სისქისა და სხვ. მიხედვით ადგენენ ნაწილაკების მახასიათებლებს. ს. შ-ს. *ელემენტარული ნაწილაკების* კვლევის ერთ-ერთი საშუალებაა.

სძელშუბლა, თევზების 2 გვარი კობრისებრთა ოჯახისა. თითოეულ გვარში თითო სახეობაა: თეთრი ანუ ჩვეულებრივი ს. (Hypophthalmichthys molitrix) და ჭრელი ს. (Aristichthys nobilis). პირველის მასა 25 *კგ*, მეორისა — 35 *კგ* აღწევს. ბუნებრივი გავრცელების არეალია ჩინეთი და სსრკ (ამურის აუზი). რეწვისა და თევზმოშენების ძვირფასი ობიექტია. ს. ფართოდაა გავრცელებული სსრკ-ში, ინდოჩინეთში, იაპონიაში, კუბაში, ჩრდ. ამერიკაში და სხვ. საქართველოში აკლიმატიზებულია 1962-იდან. აქ იგი ტბორული მეთევზეობის (კუმისის, მარაბდის, ნადარბაზევის წყალსატევები; ლისისა და ჯანდარის ტბები) ერთ-ერთი წამყვანი ობიექტია. ს. იკვებება პლანქტონით. მრავლდება ზაფხულში. იყენებენ ნედლად და დამარილებულს. *მ. დემეტრაშვილი.*

სძენა (ბერძნ. schēma — ხედი, ფორმა, მონახაზი), 1. ზოგად, ძირითად ხაზებში რაიმის გამოსახვა, აღწერა, გადმოცემა; 2. ნახაზი, სადაც მოცემულია რაიმე მოწყობილობის, ნაგებობის ძირითადი იდეა მასშტაბის დაცვის გარეშე.

სძენა (ბერძნ. schēma — მონაზვნის ტანსაცმელი, სიტყვასიტყვით — გარეგნული სახე, ფორმა), უმაღლესი მონაზვნური ხარისხი მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამ ხარისხის მონაზვნები გამოირჩეოდნენ მკაცრი ასკეტიზმით. მონაზონთა მიერ დადებული აღთქმის მიხედვით არსებობდა დიდი ს. და მცირე ს. შუა საუკ. საქართველოში სქემოსანი მონაზვნები ეწოდნენ „დაყუდებით" ცხოვრებას „სადაყუდებულოში" და სხვ. ძვ. ქართ. კანონიკურ ძეგლებში გვხვდება მონაზონთა „სქემით კურთხევის" განწესებანი, რ-იც განსხვავდება ჩვეულებრივ მონაზვნად კურთხევის წესისაგან. VIII — XVIII ს-თა საქართველოში ივვნენ სქემოსანი მამაკაცი და ქალი მონაზვნები. *ბ. ლომინაძე.*

სძერში, ორგანიზმის მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რ-იც უზრუნველყოფს მის მონაწილეობას ახალ თაობათა წარმოქმნაში და შთამომავლობისათვის მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემაში. მამრობითი და მდედრობითი *გამეტების* შერწყმით მიიღება ზიგოტა, რ-შიც ერთიანდება რეკომბინირებული მემკვიდრული მასალის (იხ. *მეიოზი, რეკომბინაცია, კროსინგოვერი*) შემცველი ორივე მშობლის ჰაპლოიდურ ქრომოსომათა ნაკრები. ამიტომ ორსქესიან პოპულაციებში გამუდმებით წარმოიქმნება გენეტიკურად განსხვავებული ფორმები, რ-ებიც მდიდარ მასალას წარმოადგენენ *ბუნებრივი გადარჩევისათვის.* მრავალუჯრედიან ორგანიზმებში სქესობრივმა პროცესმა ს-ის რთული დიფერენცირება განაპირობა. სპეციალურ (გენერაციულ) ორგანოებში ხდება დიდი ზომის უძრავი ან ნაკლებად მოძრავი მდედრობითი ს-ის და პატარა, უმეტესად მოძრავი მამრობითი ს-ის გამეტების ჩამოყალიბება. მცენარეთა დიდ ნაწილში და ზოგიერთ ცხოველში ორივე ტიპის გამეტები ყალიბდება ერთსა და იმავე ინდივიდში (იხ. *ჰერმაფროდიტიზმი*), ცხოველების უმრავლესობაში კი — სხვადასხვაში, რ-ებიც შესაბამისად მამრობით და მდედრობით ფორმებად იყოფიან. ცალსქესიანი ინდივიდები განსხვავდებიან პირველადი (მორფ. და ფიზიოლ. თავისებურებანი, რ-ებიც უზრუნველყოფენ გამეტების წარმოქმნას და განაყოფიერებას; გონადები ცხოველებში, ანდროცეუმი და გინეცეუმი მცენარეებში და სხვ.) და მეორეული (დამხმარე როლს ასრულებენ გამრავლებაში: ბუმბულის შეფერილობა, სარძევე ჯირკვლები ცხოველებში; ყვავილობა მცენარეებში და სხვ.) სასქესო ნიშნებით, ქცევით (იხ. *სქესობრივი დიმორფიზმი*). ორსქესიან მცენარეებსა და ჰერმაფროდიტ ცხოველებში შინაგანი ფაქტორების მოქმედებით გენეტიკურად ერთგვაროვანი უჯრედებიდან ყალიბდება მდედრობითი და მამრობითი სასქესო ორგანოები. განასხვაებენ ს-ის პროგამურ, ეპიგამურ და სინგამურ განსაზღვრას. ს-ის პროგამური განსაზღვრა კვერცხუჯრედის განაყოფიერებამდე ხდება. დედალში წარმოიქმნება ორი, გენეტიკურად ერთნაირი ტიპის სასქესო უჯრედები. პირველთაგან დიდი ზომის კვერცხუჯრედები მიიღება, განაყოფიერების შემდეგ კი დედლები ვითარდებიან. მეორენი მცირე ზომისაა, მათგან მამლები ვითარდებიან. ეპიგამური ს-ის განსაზღვრა მიმდინარეობს განაყოფიერების შემდეგ, ზიგოტიდან მამრობითი ან მდედრობითი ს-ის განვითარება გარემო ფაქტორებით ხდება (ე. წ. ფენოტიპური ანუ მოდიფიკაციური ტიპი). მაგ., ბონელიის ბისექსუალური ზიგოტისაგან განვითარებული ლარვა დედლის ხორთუმზე მოხვედრის შემდეგ ჩადის საშვილოსნოში და ყალიბდება მამლად, ზღვის ფსკერზე მოხვედრის შემთხვევაში კი — დედლად. მცენარე Arisaema japonica-ს დიდი, საკვებით მდიდარი გორგლიდან მდედრობითი ს-ის ინდივიდი ვითარდება, ფშუტე, პატარა გორგლებიდან კი — მამრობითი ს-ის ინდივიდი. ფართოდაა გავრცელებული სინგამური ს-ის განსაზღვრა, რ-იც განაყოფიერებისას (ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე) ხდება. ზიგოტებში ორივე ს-ის განვითარების პოტენციური შესაძლებლობაა წარმოდგენილი. ზიგოტების ერთი ნაწილიდან მდედრ., მეორედან კი მამრ. ს. ვითარდება. ს-ის განსაზღვრა გამეტებით გენეტ. სტრუქტურაზეა დამოკიდებული (ე. წ. გენეტ. ტიპი). მდედრობითი და მამრობითი ს-ის ინდივიდები განსხვავდებიან ქრომოსომათა კრებულით, კერძოდ, ჰომოლოგიური წყვილებიდან ერთია განსხვავებული, რ-საც ეწოდება სასქესო ქრომოსომები, დანარჩენ ჰომოლოგიურ წყვილებს კი — ავტოსომები. სასქესო ქრომოსომას, რ-იც მდედრსა და მამრში ერთნაირია, X ქრომოსომა უწოდეს, განსხვავებულს (რ-იც მხოლოდ ერთ-ერთშია) — Y ქრომოსომა. ზოგ ინდივიდში (ბუმბუმწოვრები, მ. შ. ადამიანი და სხვ.) მდედრი შეიცავს ერთი სახის სასქესო ქრომოსომებს (აღინიშნება ფორმულით XX), მამრი კი განსხვავებულს (XY) ან მხოლოდ ერთს (XO). მდედრში წარმოიქმნება ერთი სახის კვერცხუჯრედები (ე. წ. ჰომოგამეტური ს.), მამრში კი — თანაბარი რაოდენობით ორი სახის სპერმატოზოიდები (ე. წ. ჰეტეროგამეტური ს.) — X-ქრომოსომიანი და Y-ქრომოსომიანი (ან მხოლოდ ავტოსომებიანი). კვერცხუჯრედის X-ქრომოსომიანი სპერმატოზოიდით განაყოფიერებისას ვითარდება მდედრობითი ს., Y-ქრომოსომიანი (ან მხოლოდ ავტოსომებიანი) სპერმატოზოიდით განაყოფიერებისას კი — მამრობითი ს. ფრინველებში, ქვეწარმავლებში, პეპლებში, ზოგიერთ ამფიბიებში, თევზებში და სხვ. მდედრობითი ს. ჰეტეროგამეტურია (XY ან XO), მამრობითი ს. კი — ჰომოგამეტური (XX). ს-ის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი (X- თუ Y-ქრომოსომიანი) კვერცხუჯრედი განაყოფიერდება. სასქესო ქრომოსომების როლი ს-ის განსაზღვრაში ნათელია, მაგრამ განვითარების პროცესში თუ როგორ ხდება მდედრობითი ან მამრობითი ს-ის განვითარება, სრულყოფილად არ არის შესწავლილი. ზიგოტის ბისექსუალობას იწვევს ავტოსომებში მყოფი გენები, რ-თა ამოქმედება ხდება მეორე სახის გენებით— ე. წ. რეალიზატორებით. რეალიზატორები ერთ-ერთ შემთხვევაში ამოქმედებენ იმ გენებს, რ-ებიც იწვევენ მდედრ. ს-ის განვითარებას, მეორე შემთხვევაში კი—გენებს, რ-ებიც ავითარებენ მამრობით ს-ს. მდედრობითი ს-ის რეალიზატორების ერთი დოზისა და მამრობითი ს-ის რეალიზატორების ორმაგი დოზისას (1X : 2A) ვითარდებიან მამლები, როდესაც დოზა



სქესი. სქესის განსაზღვრის სქემა სხვადასხვა ტიპის ქრომოსომული ნაკრების დროს (ორმაგი რგოლები—ზიგოტები; ცალფები—გამეტები; ციფრები მიუთითებს ქრომოსომების რიცხვს).

სფრაგისტიკა



გრიგოლ თიანეთის მოურავის ბეჭედი. XVIII ს.



სოლომონ მეფის ბეჭედი. 1766—81 წწ.



ერეკლე II-ის ბეჭედი. 1750—97 წწ.



თეთრი სქელშუბლა.

თანაბარია (2X : 2A) — დედლები. ადამიანში, ძუძუმწოვრებსა და სხვა ცხოველებში, ასევე ცალსქესიან მცენარეებში Y ქრომოსომა აქტიურად განსაზღვრავს ს-ს. მაგ., ადამიანში ავტოსომების რაოდენობა თუ ნორმალურია ხოლო Y ქრომოსომასთან ერთად ორი და მეტი X ქრომოსომა აქვს, ვითარდება მამრობითი ს. რიგ შემთხვევაში Y ქრომოსომა არ განსაზღვრავს ს-ს. მაგ., დროზოფილაში Y ქრომოსომა გენეტიკურად ინერტულია (გენებს არ შეიცავს). მდედრობითი ს-ის რეალიზატორები იმყოფებიან X ქრომოსომაში, მამრობითისა კი—ავტოსომებში. ს-ს განსაზღვრავს X ქრომოსომისა და ავტოსომების თანაფარდობა, მდედრში ეს თანაფარდობა ერთის ტოლია (2X : 2A=1), მამრში კი 0,5 (X : 2A=0,5). თანაფარდობის ზრდა მდედრობითი ნიშნების გაძლიერებას იწვევს („ზემდედრი"), შემცირება კი მამრობითი ნიშნების გაძლიერებას („ზემამრი"). 0,67 და 0,75 ინდექსის მქონე ინდივიდები შორისულია მდედრსა და მამრს შორის („ინტერსექსი"). მდედრობით და მამრობით ს-ს შორის თანაფარდობა ფენოტიპური განსაზღვრის დროს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ინდივიდი დაექვემდებარა შესაბამის გარემო ფაქტორს. გენეტ. განსაზღვრის დროს, როგორც წესი, ორივე ს-ის ინდივიდები თანაბარი რაოდენობით მიიღება (100 მდედრი: 100 მამრი), თუმცა გვხვდება გადახრაც. მაგ., ძუძუმწოვრების ზოგიერთ სახეობაში 1–2%-ით მეტი მამალი ჩნდება.

ზოგიერთი ნიშნის მემკვიდრეობა დამოკიდებულია ს-ზე. არჩევენ ს-ით განსაზღვრულ და ს-ით კონტროლირებულ ნიშნებს. ს-ით განსაზღვრული ნიშანი სქესობრივი დიფერენცირების გამო მხოლოდ ერთ მათგანში ვლინდება (მაგ., მერძეულობა, მეკვერცხულობა ახასიათებს მდედრებს), თუმცა ნიშნის განმსაზღვრელი პოლიმერული გენები ორივე სქესის ავტოსომებში იმყოფება. ს-ით კონტროლირებული ნიშნები ორივე (სხვადასხვა დონითაა გამოხატული) ან ცალკეულ ს-ში ვლინდება (მაგ., რქების უფრო ძლიერი განვითარება ვერძებში, წვერის განვითარება ვაცებში და სხვ.). ავტოსომებში მყოფი გენები ერთნაირი რაოდენობითაა წარმოდგენილი ორივე ს-ის ინდივიდებში. სასქესო ქრომოსომაში მყოფი გენები ს-თან შეჯიდულად მემკვიდრეობენ. ისინი ორგანიზმის ნებისმიერი ნიშნის განვითარებას განაპირობებენ. ჰეტეროგამეტური მამრის ქრომოსომაში მყოფი გენი მხოლოდ მამრობითი ს-ის ინდივიდებში ვლინდება, ჰეტეროგამეტური მდედრის Y ქრომოსომაში მყოფი კი — მხოლოდ მდედრებში (ე. წ. **ჰოლანდრული მემკვიდრულობა**). როდესაც გენი ჰომოლოგიურ X ქრომოსომებში იმყოფება, მაშინ ადგილი აქვს **ჯვარედინ მემკვიდრულობას**. კერძოდ, ჰომოგამეტური დედის რეცესიულ ნიშანს ღებულობს ვაჟიშვილი, მამის დომინანტურ ნიშანს კი — ქალიშვილი (იხ. *მემკვიდრულობის ქრომოსომული თეორია*). ადამიანში ს-თან შეჯიდულად მემკვიდრეობს მრავალი დაავადების აღმძრველი გენი. ს-ის რეგულაციას (სასურველი ს-ის მიღებას) თეორიულის გარდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ერთ-ერთი ს. მეორეზე მაღალპროდუქტიულია (მაგ., ძუძუმწოვრებში, ფრინველებში— დედალი, თუთის აბრეშუმხვევიაში — მამალი და ა. შ.). გამოყოფენ ს-ის რეგულაციის 4 მიმართულებას. რეგულაციის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ს-ის ფენოტიპური გარდაქმნა. საპირისპირო ინდივიდის სასქესო ორგანოების გადანერგვით, ჰორმონების ან ზოგიერთი ამინომჟავას შეყვანით იცვლება ინდივიდის სასქესო ნიშნები, თუმცა, იშვიათად (ზოგიერთი თევზი, ამფიბია), ფენოტიპურად შეცვლილი ს. საწინააღმდეგო ს-ის გამეტებსაც წარმოქმნის. ჰორმონული ზემოქმედების შეწყვეტისას კვლავ ს-ის განსაზღვრის გენეტ. მექანიზმის ამოქმედება ხდება. მნიშვნელოვანი მიმართულებაა ს-ის განსაზღვრის გენეტიკური მექანიზმის მართვა, რ-იც გადაწყვეტილია თუთის აბრეშუმხვევიაში. განაყოფიერებულ კვერცხზე თერმული ზემოქმედებით გაპირობებული *პართენოგენეზის* შედეგად დიპლოიდური უჯრედიდან (მომწიფების ფაზის გავლის გარეშე) ვითარდება ემბრიონი, რ-იც დედის მემკვიდრულ სტრუქტურას ინარჩუნებს (აქვს XY ქრომოსომები), მიიღება მხოლოდ დედლები. მაიონიზებელი რადიაციისა და თერმული ზემოქმედებით ახ. განაყოფიერებულ კვერცხში ჩაკვდება მდედრობითი ბირთვი. ორი მამრობითი ბირთვის შერწყმით წარმოიქმნება დიპლოიდური ბირთვი, საიდანაც ჩანასახი ვითარდება. ამგვარი ჩანასახებიდან ვითარდებიან მხოლოდ მამლები (იხ. *ანდროგენეზი*). ძუძუმწოვრებში მეცნიერები ცდილობენ მორფოლ. და ციტოლოგიური ნიშნებით გამოჯნონ X- და X-ქრომოსომიანი სპერმატოზოიდები. სპერმატოზოიდების განსაზღვრული ფრაქციის გამოყენებით შესაძლებელი იქნება სასურველი ს-ის მიღება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ს-ის ადრეულ ასაკში გამოცნობას. მაგ., ქათმებში ბუმბულის შეფერილობის განმსაზღვრელი ს-თან შეჯიდული ნიშნით ადვილად ახარისხებენ ინდივიდებს ყვინჩილებად და ვარიებად. ასევე, თუთის აბრეშუმხვევიაში მამლისა და დედლის „ზეადრეული" დახარისხების მიზნით იყენებენ ს-თან შეჯიდულ ნიშანს. მაიონიზებელი რადიაციის საშუალებით ავტოსომური ქრომოსომის მონაკვეთი მასში მყოფი (კვერცხის მუქი შეფერილობის გამომწვევი) დომინანტური გენითურთ გადმონერგეს Y ქრომოსომაში. ამგვარი Y-ქრომოსომიანი კვერცხი მუქი შეფერილობისაა და მისგან ვითარდება დედალი, უპიგმენტო კვერცხიდან კი — მამალი. ს-ის მიხედვით ავტომატურად ახარისხებენ კვერცხს. ძუძუმწოვრებში უკვე შეძლეს სასურველი ს-ის მიღება. მაგ., დედალი ბოცვრიდან გამოყვეს ადრეული ასაკის ჩანასახები, ციტოლოგიური მეთოდით განსაზღვრეს მათი ს., არასასურველი ს-ის წუნდების შემდეგ სასურველი ს-ის ჩანასახები კვლავ საშვილოსნოში მოათავსეს. ჩანასახთა 20% მიემაგრა საშვილოსნოს კედელს და წინასწარ ნავარაუდევი ს-ის ინდივიდები განვითარდნენ. სქესობრივი თანაფარდობის შეცვლა სასურველი ს-ის მიღების ერთ-ერთი მიმართულებაა. მისი გამოყენება შესაძლებელია ინდივიდებში, სადაც ს-ის განსაზღვრის გენეტ. მექანიზმი მოქმედებს. ს-თან შეჯიდული ლეტალური გენების საშუალებით შესაძლებელია ჰეტეროგამეტური ს-ის ჩანასახების სიკვდილი. მრავალ სას.-სამ. ცხოველში ამ მეთოდის გამოყენება არარენტაბელურია. გამონაკლისს წარმოადგენს თუთის აბრეშუმხვევია. შექმნილია თუთის აბრეშუმხვევიაში გენეტ. ხაზი, სადაც მამლის ორივე X-ქრომოსომაში არაალელური (ბალანსირებული) ლეტალური გენები იმყოფება, თუ ასეთ მამალს შევაჯვარებთ ნებისმიერი ჯიშის დედალთან, დადებული კვერცხიდან მხოლოდ მამალი განვითარდება. დედლების ერთი ნაწილი კვდება პირველი ლეტალური გენის, მეორე ნაწილი კი— მეორე ლეტალური გენის მოქმედებით.

ევოლ. პროცესის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ინდივიდების სასიცოცხლო ციკლის შესწავლამ ნათელყო, რომ ორსქესიანობა უძველესი ფორმაა (ინდივიდში წარმოიქმნება ორივე ტიპის გამეტები), ცალსქესიანებში ეს უნარი იკარგება, მაგრამ ფიზიოლ. და ბიოქიმ. გამოკვლევებმა გამოაელინა მათი ბისექსუალობა. ამასთანავე, ს-ის განსაზღვრის ფენოტიპური მექანიზმი წინ უსწრებდა გენეტიკურს. უმდაბლეს ორგანიზმებში მოქმედებს ს-ის განსაზღვრის მარტივი მექანიზმი. ცალსქესიანი ერთუჯრედიანები უმეტესად ფენოტიპურად არ განსხვავდებიან. სქესობრივი პროცესი მიმდინარეობს გენეტიკურად განსხვავებულ ინდივიდებს შორის. ზოგიერთ პროკარიოტში ეს პროცესი კარგადაა გამოხატული და ცალმხრივია. ს-ს განსაზღვრავს ეპისომა (F ფაქტორი). მამრობითი ს-ის უჯრედიდან (აქვთ ეპისომა) გენეტ. მასალა გადადის მდედრობითი ს-ის (არა აქვთ ეპისომა) უჯრედებში. ერთუჯრედიან ევკარიოტებში ს-ს ერთი ალელური წყვილი (მაგ., საფუვრები, ქლამიდომონადა და სხვ.) ან რამდენიმე გენი (მაგ., ინფუზორიები) განსაზღვრავს. მრავალუჯრედიანებში ს-ის განსაზღვრის გენეტ. მექანიზმის ევოლუციამ სასქესო ქრომოსომების ჩამოყალიბება გამოიწვია. თავდაპირველად სასქესო ქრომოსომები მორფოლოგიურად არ განსხვავდებოდნენ ავტოსომებისაგან (მაგ., თევზები, ამფიბიები). მათი აღმოჩენა ს-თან შეჯიდული ნიშნებითაა შესაძლებელი. უმაღლეს ხერხემლიანებში არა მარტო სასქესო ქრომოსომები განსხვავდებიან ავტოსომებისაგან; მოხდა მათი X და Y (ჰეტერომორფულ) ქრომოსომებად დიფერენცირება. ჰეტერომორფულ ქრომოსომებს შორის გაჩნდა კროსინგოვერი, რის გამოც მათ სპეციფ. — მდედრობითი და მამრობითი ს-ის რეალიზატორის ფუნქციის შესრულება მოუხდათ. ევოლ. პროცესში Y ქრომოსომის დაკარგვამ ს-ის გენეტ. განსაზღვრა კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა, ვინაიდან ს. განისაზღვრება სასქესო ქრომოსომებისა და ავტოსომების რაოდენობის თანაფარდობით.

ლიტ. იხ. სტ-ებთან გენეტიკა, მემკვიდრულობა. ა. *შათირიშვილი.*

სქესი გრამატიკაში, არსებითი სახელების დაჯგუფება სიტყვის ფორმის ან სხვა სიტყვებთან შეხამების მიხედვით. მასში უკუფენილია სათანადო საგნების (და მოვლენების) კლასიფიკაცია საზ. ღირებულების მიხედვით. თანამედროვე ინდოევრ. ენებში სიტყვათა დაჯგუფებას ს-ის მიხედვით საფუძვლად უდევს უფრო ზოგადი დაჯგუფება: არაცოცხალი — ცოცხალი. მხოლოდ ამ უკანასკნელში შეიძლება გაირჩეს მამრობითი და მდედრობითი ს., მაგრამ ამგვარი გარჩევა ვრცელდება არაცოცხალ საგნებზეც; მაგ., რუსულში дом მამრობითია, хата —მდედრობითი. თვით სინონიმები месяц—луна სხვადასხვა სქესისაა — პირველი მამრობითია, მეორე — მდედრობითი. ს-ს ზოგ ენა სრულიად არ არჩევს (მაგ., ქართ., ინგლ.), ზოგი არჩევს ორ (ფრანგ., არაბ.) ან სამ ს-ს (გერმ., რუს.), რ-თაგან მესამე არის ე. წ. საშ. ს. ზოგიერთ იბერიულკავკ. ენაში ს. გარჩეულია კლას-კატეგორიის ფარგლებში. არაბულში მდედრობითი ს-ის სიტყვები გამორჩეულია საგანგებო ბოლოსართით (-ათ), რუსულში არსებით სახელთა ს-ის გარჩევა ხშირად ხდება მათთან დაკავშირებული ზედსართავების სუფიქსებით: черный кофе, маленькое дитя.

სქესობრივი აღზრდა, სამედიცინო-პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა, რ-იც ითვალისწინებს სქესის საკითხებისადმი სწორი მიდგომის აღზრდას მშობლებში, ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში.

ს. ა. საუკუნეების განმავლობაში განისაზღვრებოდა რელიგ. ტრადიციებით. მხოლოდ XX ს. დასაწყისში დაიწყო ს. ა-ის საკითხებისადმი მეცნ. მიდგომა, რადგანაც კაპიტალ. ქვეყნების ახალგაზრდებში თავი იჩინა სქესობრივი ცხოვრების ზნეობრივი ნორმების უარყოფამ (ე. წ. თავისუფალი სიყვარული და სხვ.), გაიზარდა ვენერული სნეულებით დაავადე-

ბულთა, არასრულწლოვანთა აბორტისა და მშობიარობის რაოდენობა.

ბევრ ქვეყანაში (აშშ, შვეიცია, გფრ, გდრ და სხვ.) საგანგებო ყურადღება ექცევა სქესობრივ განათლებას — შავშვებისა და მოზარდებისათვის იმ ანატ.-ფიზიოლ., სექსოლოგიური, ჰიგიენური და სხვ. ცნობების მიწოდებას, რაც სქესსა და სქესობრივ ცხოვრებას ეხება.

სსრკ-ში ს. ა-ში გამოყოფილია რამდენიმე ეტაპი: სკოლამდელი ასაკის, უმცროსი სასკოლო ასაკის, სქესობრივი მომწიფების ასაკის, უფროსი სასკოლო ასაკისა და სკოლადამთავრებული ახალგაზრდებისა. ს. ა-ში ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უფროსთა (განსაკუთრებით მშობელთა) სათანადო მომზადებასა და განათლებას ამ საკითხებში. ს. ა. ტარდება ოჯახში (მშობლები), სასწ. დაწესებულებებში (მედ. მუშაკები, პედაგოგ-აღმზრდელები), საწარმოო კოლექტივებში და სხვაგან. ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ს. ა-ს ატარებენ აგრეთვე მმაჩის ბიუროებში, კულტ.-საგანმ. და სამედ. დაწესებულებებში.

ლიტ.: Гынe И., Юноша превращается в мужчину, пер. с чешск., М., 1960; Имелинский К., Психогигиена половой жизни, пер. с польск., М., 1972; Нойберт Р., Вопросы пола (Книга для молодежи), пер. с нем., 2 изд., М., 1961; Мясищев, Что я скажу моему ребенку?, М., 1971; Петер Р., Шебек В., Гынe И., Девушка превращается в женщину, пер. с чешск., М., 1960; Хрипкова А. Г., Разговор на трудную тему. Заметки о половом воспитании, М., 1970; Хрипкова А. Г., Богданович Л. А., Шибаева А. Н., Продолжим разговор на трудную тему, М., 1973; Шибаева А. Н., Социально-гигиенические аспекты полового воспитания девочек и девушек, М., 1970.

სქესობრივი გადარჩევა, *ბუნებრივი გადარჩევის* კერძო შემთხვევა, რ-იც მიმდინარეობს *პოპულაციის* ერთი სქესის ინდივიდებს შორის გამრავლებისა და შთამომავლობის დატოვებისათვის. ს. გ-ის შედეგია *სქესობრივი დიმორფიზმი*. მოძღვრება ს. გ-ის შესახებ მოცემულია ჩ. *დარვინის* ევოლუციურ თეორიაში. დარვინი განასხვავებდა ს. გ-ის ორ ფორმას, ერთ შემთხვევაში დედალი პასიურია და ბრძოლა მიმდინარეობს მამლებს შორის დედლის დაუფლებისათვის, მეორე შემთხვევაში მამლები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ დედლის მოხიბვლაში, რის გამოც დედალი აქტიურია და თვითონ ირჩევს მამალს. პირველ შემთხვევაში მიიღება ძლიერი და ჯანმრთელი შთამომავლობა, მეორეში კი ძლიერდება მეორეული სასქესო ნიშნები.

ზოგჯერ მკვეთრი შეფერილობა, ხმამაღალი გალობა, სპეციფ. სუნი ისეთი *გენოტიპების* გადარჩევას იწვევს, რ-ებიც გამრავლებას უზრუნველყოფენ, მაგრამ გადარჩენადობას აქვეითებენ. ცალკეული ინდივიდის სიცოცხლისათვის ამ უარყოფით თვისებებს ზოგჯერ დადებითი მნიშვნელობა აქვს მთელი სახეობისათვის, რადგანაც ამ თვისებების მქონე მამლები ტოვებენ შთამომავლობას და ამით თავისი წვლილი შეაქვთ პოპულაციის *გენოფონდში*.

ი. ჭუჭულაშვილი.

სქესობრივი გამრავლება, გამეტოგამია (*გამეტა* და ბერძნ. gamos — ქორწინება), ორგანიზმების გამრავლების ძირითადი სახე, რ-ის დროსაც ახალი თაობის ორგანიზმი ჩნდება *განაყოფიერების* ე. ი. (გამეტების) ურთიერთშერწყმის შედეგად ზიგოტის წარმოქმნით (ს. გ-ს მიეკუთვნება აგრეთვე *პართენოგენეზით* გამრავლება, ე. ი. ახ. ორგანიზმის განვითარება გაუნაყოფიერებელი მდედრობითი გამეტიდან). გამეტები ყოველთვის ჰაპლოიდურია, ე. ი. შეიცავს ქრომოსომების ცალმაგ კრებულს (იხ. *მეიოზი*). ს. გ-ისას ზიგოტაში ერთიანდება ქრომოსომული კრებული, რ-იც ორიგე მშობლისაგან მიღებულ მემკვიდრულ ინფორმაციას შეიცავს. ამიტომაც ევოლუციაში ს. გ-ის გაჩენით გაიზარდა მემკვიდრული ცვალებადობა და, შესაბამისად — ევოლ. ტემპი. ამით აიხსნება ს. გ-ის საყოველთაოდ გავრცელებაც (ს. გ-ის უნარი არა აქვთ მხოლოდ ბაქტერიებს და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებს).

ს. გ. უზრუნველყოფს ორგანიზმების დიფერენციაციას *სქესის* მიხედვით მდედრობით და მამრობით ცალეულებად, რ-თაც უვითარდებათ განსხვავებული სასქესო ორგანოები, სადაც წარმოიქმნებიან სქესობრივად განსხვავებული გამეტები (ჰერმაფროდიტიზმის შემთხვევებში ორივე სქესის გამეტები ერთსა და იმავე ორგანიზმში წარმოიქმნებიან). გამეტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უპირატესად თვით მემკვიდრული მასალით (იხ. *სასქესო ქრომოსომები*), ხშირად კი სხვადასხვანაირი მორფოლ. და ფიზიოლ. თავისებურებებითაც, რის მიხედვითაც განირჩევა ს. გ-ის რამდენიმე სახე (იხ. *იზოგამია, ანიზოგამია, ჰეტეროგამია, ოოგამია*). ს. გ-ის უნარის მქონე ორგანიზმებში სქესობრივი დიფერენციაცია ხშირად ვლინდება ე. წ. *მეორეული სასქესო ნიშნების* არსებობითაც (იხ. *სქესობრივი დიმორფიზმი*).

ლ. ნათაძე.

სქესობრივი გაუკუღმართება, სექსუალური პერვერზიები, სქესობრივი ლტოლვის ან დაკმაყოფილების ავადმყოფური დარღვევა, როდესაც შეცვლილია სქესობრივი ლტოლვის ობიექტი ან ვნების დაკმაყოფილების ფორმა. განასხვავებენ ჭეშმარიტ ს. გ-ს, როდესაც გაუკუღმართებული მიზიდულობა სექსუალური დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალებაა, და ცრუ ს. გ-ს, როდესაც გაუკუღმართებულ ლტოლვასთან ერთად შენარჩუნებულია ნორმალური სქესობრივი ცხოვრების უნარი. ს. გ-ს, როცა შეცვლილია ლტოლვის ობიექტი, განეკუთვნება ჰომოსექსუალიზმი — სექსუალური ლტოლვა საკუთარი სქესის წარმომადგენლებისადმი (მამკაცებში—პედერასტია ანუ მამათმავლობა, ქალებში — ლესბოსური სიყვარული); პედოფილია—ლტოლვა ბავშვებისადმი; გერონტოფილია—ლტოლვა მოხუცებისადმი; ნეკროფილია — ლტოლვა გვამისადმი; ზოოფილია ანუ სოდომია — სქესობრივი კავშირი ცხოველებთან; ფეტიშიზმი — მამაკაცის ლტოლვა ქალის ტუალეტის ცალკეული ნივთისადმი და სხვ. ს. გ-ს, როდესაც შეცვლილია ვნების დაკმაყოფილების ფორმა, განეკუთვნება სადიზმი — სექსუალური დაკმაყოფილება პარტნიორის ფიზ. და მორალური შეურაცხყოფით, მაზოქიზმი — ვნების დაკმაყოფილება პარტნიორისაგან მიყენებული ფიზ. ტანჯვით და მორალური შეურაცხყოფით. ს. გ-ის სახეა აგრეთვე ექსჰიბიციონიზმი — ვნების დაკმაყოფილება საკუთარი სასქესო ორგანოების საჯაროდ გაშიშვლებით, სკოპოფილია ანუ ვუაერიზმი — სქესობრივი აქტის ფარული თვალთვალით, ტრანსვესტიზმი — სხვა სქესის წარმომადგენლის ტანსაცმლის ტარებით და ა. შ.

ს. გ. გვხვდება ცენტრ. ნერვული სისტემის ორგ. დაზიანების, ენდოკრინული მოშლილობის, შიზოფ რენიის, გონებრივი ჩამორჩენილობის, ფსიქოპათიის და სხვათა დროს. ზოგჯერ ვითარდება გარემო ფაქტორების განსაკუთრებული პირობების გავლენით.

მკურნალობა დამოკიდებულია ს. გ-ის გამომწვევ მიზეზზე; იყენებენ *ფსიქოთერაპიას*, ჰორმონულ პრეპარატებს, ნეიროლეფსიურ საშუალებებს და სხვ.

ა. კანდელაკი.

სქესობრივი დიმორფიზმი, განსხვავება ერთი და იმავე სახეობის მდედრობით და მამრობით ორგანიზმებს შორის. ფართო გაგებით ს. დ-ია ყველა განსხვავება დედალსა და მამალს შორის, რაც ვლინდება სასქესო ქრომოსომების არაერთნაირობით, მდედრობით და მამრობით გამეტებს შორის განსხვავებით ანიზოგამიის, ჰეტეროგამიისა და ოოგამიისას, სასქესო ორგანოების (ე. წ. პირველადი სასქესო ნიშნების), ზოგი ორსახლიანი და ცალსქესიანი მცენარის ყვავილების აგებულების სხვადასხვაობით. განსაკუთრებით მკვეთრია დედლებისა და მამლების გარეგნული განსხვავება ე. წ. *მეორეული სასქესო ნიშნებით* (სწორედ ესაა ს. დ. ვიწრო გაგებით). ს. დ. ამ თვალსაზრისით მოიცავს დედლებისა და მამლების განსხვავებას კონსტიტუციით (ზომა, პროპორციები და მისთ.), ე. წ. მორთულობით, შეფერილობით, შთამომავლობაზე ზრუნვასთან დაკავშირებული ორგანოებით, ხმით და, შესაბამისად, საბგერი აპარატით, ქცევით და სხვ. იშვიათად ამ ტიპის ს. დ. აღინიშნება მცენარეებშიც (ღეროს სიგრძის, შეფოთლის სიხშირის განსხვავება). ზოგჯერ ს. დ. ვლინდება მხოლოდ გამრავლების პერიოდში (ზოგი თევზის, ამფიბიის ე. წ. „საქორწინო მორთულობა", ფრინველების, მწერებისა და სხვათა „საქორწინო თამაში" და მისთ.), რასაც სეზონური ს. დ. ეწოდება.

ს. დ. ევოლ. პროცესში სქესობრივი გადარჩევის მოქმედების შედეგია.

ლ. ნათაძე.

სქესობრივი მომწიფება, პუბერტატული პერიოდი (ლათ. pubertas, ნათ. ბრ. pubertatis — სქესობრივი სიმწიფე), პერიოდი ცხოველური ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებაში, როდესაც ღრმა შინაგანი გარდაქმნების შედეგად ის აღწევს სქესობრივ სიმწიფეს (გამრავლების უნარს). ადამიანის ს. მ-ის ხანას ახასიათებს ჩონჩხის ცალკეული სეგმენტების აჩქარებული ზრდა, სხეულის საბოლოო პროპორციების ჩამოყალიბება, *მეორეული სასქესო ნიშნების*, სასქესო ორგანოების ფორმირება. ს. მ-ის არსებითი ნიშანია სასქესო ჯირკვლების გარეგანი და *შინაგანი სეკრეციის* სპეციფიკური პროდუქტების გამოყოფა, რაც ქალიშვილებში მენსტრუალური ციკლის საბოლოო ჩამოყალიბებით, ხოლო ჭაბუკებში ეაკულაციით (დასაწყისში ჩვეულებრივ პოლუციის დროს) ვლინდება. ს. მ. მოიცავს ჰორმონული რეგულაციის, ფიზ. განვითარებისა და ფსიქ. სფეროს გარდაქმნის პროცესებს. ამ პერიოდში ადამიანის ფსიქიკაში ხდება სქესობრივი შეგნების ფორმირება — ახალგაზრდა შეიგრძნობს არა მარტო იმას, რომ ის გარკვეული სქესის წარმომადგენელია, არამედ იმასაც, რომ თავისი სექსუალური ქცევა საზ-ბაში მიღებული მორალურ-ეთიკური ნორმების შესაბამისად უნდა წარმართოს. სქესობრივი შეგნების ფორმირებაში პირობითად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფაზა: ელემენტარული წარმოდგენა სქესის სხვადასხვაობაზე სპეციფ. გრძნობითი ელფერის გარეშე; პლატონური სიყვარული; სპეციფ. სექსუალური ემოციების გაღვიძება, რ-ებიც მიმართულია გენიტალური სფეროსაკენ; მომწიფებული სქესობრივი შეგნება, ყველა მისი კომპონენტების ჰარმონიული შეფარდება.

ს. მ-ის დასაწყისი და ტემპი კონსტ. ფაქტორებისა და გარე სამყაროს გავლენის ურთიერთმოქმედებით განისაზღვრება. ს. მ-ის ასაკობრივი საზღვრები ზედმიწევნით ინდივიდ. და მერყეობა (გათვალისწინებულია *აქცელერაციის* პრინციპები): გოგონებში — 8—9 წლიდან 16—17 წლამდე, ბიჭებში — 10—11 წლიდან 19—20 წლამდე. არახელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობები, არასრულფასოვანი კვება, გადატანილი დაავადებანი და სხვ. ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ფიზ., ფსიქ. და სქესობრივ განვითარებაზე.

სძესობრივი უძლურება, იმპოტენცია, მდგომარეობა, როდესაც ერექციის შესუსტების გამო მამაკაცი მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ ასრულებს სქესობრივ აქტს. ს. უ-ის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ცენტრ. ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობა, ნერვული სისტემის ორგ. დაზიანება, უროლოგიური და ენდოკრინული დაავადებანი, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების ჭარბად მიღების გამო, ზურგის ტვინის ერექციისა და ეაკულაციის ცენტრების ქრონ. ინტოქსიკაცია და სხვ. ზოგჯერ ს. უ-ს იწვევს გონებრივი და ფიზ. გადაღლა, ემოციური დაძაბვა, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა და სხვ. მკურნალობა: ს. უ-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია; ფსიქოთერაპია (განსაკუთრებით ფსიქოგენური ფაქტორებით გამოწვეული ს. უ-ის დროს); საერთო გამაჯანსაღებელი მკურნალობა; სამკურნ. ფიზკულტურა; ფიზიოთერაპიული პროცედურები. თუ ს. უ-ს დაერთვის უხალისობა, უძლურობა, საერთო სისუსტე, შრომისუნარიანობის დაქვეითება და სხვ., ფსიქოთერაპიასთან ერთად იყენებენ საძილე და სედატიურ საშუალებებს. პროფილაქტიკა: კვების, შრომისა და დასვენების რეჟიმის მოწესრიგება; თამბაქოს წევისა და ალკოჰოლიანი სასმელების ჭარბად მიღების აღკვეთა. იხ. აგრეთვე *ფრიგიდულობა*. ა. *კანდელაკი*.

სქიზმა (ბერძნ. schisma — დაყოფა, გაყოფა), ქრისტიანული ეკლესიის გათიშვა კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებად. იხ. *ეკლესიათა გაყოფა*.

სქოლასტიკა (ლათ. scholastica<ბერძნ. scholastikos—სკოლისა; სწავლული), VIII—XV სს-ში გაბატონებული თეოლოგიური მიმდინარეობა, რ-ის დროსაც რელიგიამ ეკლესიის დოგმათა თეორიული დასაბუთების შესაძლებლობა დაუშვა და ფილოსოფიას მხოლოდ „თეოლოგიის მსახურად“ არსებობის უფლება მისცა (პეტრე დამიანი). ამ მიზნით ს. იყენებდა პლატონიზმს, ნეოპლატონიზმს, განსაკუთრებით კი არისტოტელიზმს. ფილოსოფია დასაბუთების საშუალებად იქცა, მაგრამ მას დასასაბუთებლის შემოწმების უფლება არა ჰქონდა. იგი აღარ იყო მსოფლმხედველობა. ამ პერიოდში გაბატონებული იყო ავტორიტეტის პრინციპი, შემოქმედებითობაზე უარის თქმა („ხოლო ჩემი ვთქუა არარაი“; იოანე დამასკელი). მაგრამ ფილოსოფოსები მაინც ახერხებდნენ წმინდანად აღიარებულ ავტორებთან დაპირისპირებას. დოგმების უკეთ დასაბუთების მიზნით მიმდინარეობდა ბრძოლა ნომინალიზმსა და რეალიზმს, პანთეიზმსა და კრეაციონიზმს შორის. ორმაგი ჭეშმარიტების თეორიაზე დამყარებით ფილოსოფია უფრო მეტ პრეტენზიას აცხადებდა დამოუკიდებლობაზე. ზოგჯერ პოლიტ. სიტუაციები ხელს უწყობდა აზროვნების შედარებით თავისუფლებას და კულტურის მნიშვნელოვანი კერების შექმნას (ბიზანტიაში, კორდოგაში, საქართველოში...). ამით აიხსნება ფლორენციაში ეპიკურეელთა ძლიერი სკოლის შექმნა, ისიც, რომ პაპისადმი პროტესტის ნიშნად ფრიდრიხ II სულთანს ეწვია იერუსალიმში და მუსლიმან ფილოსოფოსებს ეკამათა, აგრეთვე ის, რომ გ. კავალკანტის, როგორც ბოკაჩო გადმოგვცემს, რომში მშვიდად შეეძლო შეექმნა ღმერთის არარსებობის დამასაბუთებელი არგუმენტები ანდა გელათის აკადემიაში იოანე პეტრიწს დაესვა საკითხი: არსებობს თუ არა ღმერთი? და მოწინააღმდეგეებს დოგმატებით კი არ დამუქრებოდა, არამედ ლოგიკურ წინააღმდეგობაზე („უჯერობაჲ“) მიეთითებინა.

ს-ის ძირითადი ეტაპები: ადრეული ეტაპი (VIII—XII სს., იოანე დამასკელი, იოანე სკოტუს ერიუგენა, იბნ სინა, ანსელმ კენტერბერიელი, პ. აბელარი და სხვ.) — ადრეული ს.; II ეტაპი იწყება XII ს. II ნახევრიდან და გრძელდება XIV ს. შუა წლებამდე (ალექსანდრე ჰალელი, თომა აკვინელი, იოანე დუნს სკოტუსი და სხვ.)—მაღალი ს.; III ეტაპი (XIV ს. II ნახ. და XV ს; ალბერტ საქსონიელი, ნიკოლ ორემი და სხვ.) — გვიანდ. ს., კრიზისისა და დაცემის პერიოდი. ს. დაუპირისპირდა აღორძინების ეპოქის მსოფლმხედველობას და ამის შემდეგ ღირებული არაფერი შეუქმნია. ს. არსებობას განაგრძობდა მხოლოდ როგორც კათოლ. ეკლესიის ოფიც. მოძღვრება. ს-ის IV ეტაპად გამოყოფენ ე. წ. მეორე ს-ს, რ-იც არსებითად თომა აკვინელს ემყარებოდა, განსაკუთრებით ესპანეთში გავრცელდა (ფ. სუარესი). XIX ს. ბოლოს ვრცელდება *ნეოსქოლასტიკა*, ძირითადად *ნეოთომიზმის* სახით.

ლიტ.: ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1—2, თბ., 1956—58; შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. 1—2, თბ., 1981—84; Renan E., Соч., т. 8, K., 1902 (Аверроэс и аверроизм); Соколов В. В., Средневековая философия, М., 1979.

გ. თევზაძე.

სქოლიო (ბერძნ. scholia, მრ. რ. scholion —ახსნა, განმარტება), დამატებითი ტექსტი (განმარტება, მიგზავნა წყაროზე, რედაქტორის შენიშვნა და ა. შ.), რ-იც მოთავსებულია სვეტის ძირში; ძირითადი ტექსტისაგან გამოყოფილია სწორი ხაზით. ს-ს აწყობენ უფრო წვრილი *კეგელით* და დასმული აქვს ნიშანი (ციფრი ან ვარსკვლავი), რ-იც ძირითადი ტექსტის განსამარტავ ნაწილთან დასმული ნიშნის იდენტურია. ს-ს ნუმერაცია ან მიყოლებულია, ან დალაგებულია თავების (დარგების) მიხედვით.

„სძური“, სულფატურ-ქლორიდული ნატრიუმ-კალციუმიანი სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს წალენჯიხის რ-ში, მდ. აბანოსელეის (ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ქიმ. შედგენილობა $M_{1,9}\frac{Cl72S0_426}{Ca74\ Na22}$ T11°C. საბადო დაკავშირებულია შუა- და ზედაიურულ, ცარცულ და პალეოგენურ ნალექებთან. წყალი ჭაბურღილით არის ამოღებული შუაიურული (ბაიოსური) ვულკანოგენური ქანებიდან. დებიტი 60 — 65 ათ. ლ/დღ-ღ. წარმოებს წყლის ჩამოსხმა ბოთლებში; წელიწადში (1984) დაახლ. 2,5 მლნ. 0,5 ლ ბოთლი. სამედ. ჩვენება—საჭმლის მომნელებელ ორგანოთა, საყრდენ-სამოძრაო აპარატისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები.

გ. უშვერიძე, ტ. ჩიჩუა.

სცევოლა კვინტუს მუციუს (Quintus Mucius Scaevola) (სავარაუდოდ ძვ. წ. 140—82), რომაელი იურისტი. დიდი სახელმწ. თანამდებობები ეკავა. სახელი გაითქვა კერძო სამართლისადმი მიძღვნილი ნაშრომით (18 წიგნად), რ-შიც სამართ. მასალა გადმოცემული იყო განსაზღვრული სისტემით, ინ-ტების მიხედვით. ს-ს თხზულებებმა საფუძველი დაუდო სამოქალაქო სამართ. მეცნ. დამუშავებას, დიდი გავლენა მოახდინა რომაული იურისპრუდენციის შემდგომ განვითარებაზე.

სცევოლა კვინტუს ცერვიდიუს (Quintus Cervidius Scaevola) (დ. და გ. წწ. უცნობია), II ს. დასასრულისა და III ს. დასაწყისის რომაელი იურისტი. დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერატორთა კარზე. უფლება ჰქონდა მიეცა მოსამართლისათვის სავალდებულო კონსულტაცია კონკრ. საქმის გადაწყვეტის დროს. მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში („დიგესტები“ 40 წიგნად, „პასუხები“ 6 წიგნად და სხვ.) მოცემულია ზუსტი მსჯელობანი სამართ. ცალკეულ საკითხებზე. ს-ს მოწაფეები იყვნენ ცნობილი რომაელი იურისტები *პაულუსი* და *პაპინიანე*.


სცენა (ლათ. scaena < ბერძნ. skēne — კარავი, თეატრალური ფიცარნაგი), ძვ. ქართული სამღერელი, 1. სათეატრო მოქმედების ადგილი. ძვ. ბერძნულ თეატრში მოქმედება იწლებოდა ორქესტრაზე — წრიულ მოედანზე, რ-ის ირგვლივ მაყურებელთა ადგილები იყო განლაგებული. ელინიზმის ეპოქაში მსახიობთა სათამაშო ადგილი გახდა პროსკენი, ძვ. რომის თეატრში — პროსცენიუმი. შუა საუკუნეებში ს-დ იყენებდნენ ქალაქებისა და სოფლების მოედნებს; XVII ს-ში ინგლისში ჩამოყალიბდა ე. წ. შექსპირული ს-ის ტიპი; მიწიდან კაცის სიმაღლემდე აწეული ს. (პარტერიდან უყურებდნენ ფეხზე მდგარნი); XVI ს. I ნახ. იტალიაში გაჩნდა პერსპექტიული ს. (1539, არქიტ. ს. სერლიო), აქვე XVI ს. ბოლოსა და XVII ს. დასაწყისში აღმოცენდა კულისებიანი ს. 1794 ჰამბურგში გერმ. მსახიობმა და რეჟისორმა ფ. შრედერმა პირველად გამოიყენა პავილიონი და ჩარჩოზე გადაკრული დეკორაციები, რ-ზედაც ინტერიერი იყო გამოსახული. 1884 აკეთებდნენ ასაწევ-დასაწევ (ბუდაპეშტი), 1896 — მბრუნავ (მიუნხენი, ინჟ. კ. ლაუტენშლეგერი) ს-ებს. კლასიკური ტიპის ს. არის შეკრული, დახშული კოლოფი, რ-იც მაყურებელთა დარბაზს უერთდება პორტალის ღიადით. ს-ის ზომები დამოკიდებულია მაყურებელთა დარბაზის ზომებზე. ს-ის სათამაშო ნაწილი შედგება მოედნის, ავანსცენის, არიერსცენისა და კულისებისაგან. 2. მხატვრულ ნაწარმოებში წარმოსახული რაიმე ამბავი, ეპიზოდი, კერძოდ, პიესის ცალკეული სურათი, მოქმედების გარკვეული მონაკვეთი.


სცენარი (იტალ. scenario <ლათ. scaena—სცენა), 1. სიუჟეტური სქემა, რ-ის მიხედვით იქმნება სპექტაკლი იმპროვიზაციის თეატრში. ს-ში გადმოცემულია პიესის მოკლე შინაარსი (დიალოგებისა და რონოლოგების გარეშე). მასში განსაზღვრულია მოქმედების მთავარი მომენტები, მოქმედ პირთა სცენაზე გამოსვლა, აღნიშნულია ჩადგმული ნომრები და სხვ. ს. აუცილებელია სხვადასხვა სახის ხალხური თეატრებისათვის (მიმი, ატელანა, ფარსი, კომედია დელ არტე და სხვ.); 2. კინემატოგრაფიაში — ლიტ. ნაწარმოების შინაარსი, რ-იც გამომსახველობითი საშუალებებით ეკრანზე გადადის. იგი იყენებს პროზის, პოეზიის, დრამატურგიის მხატვრულ პრინციპებს (იხ. აგრეთვე *კინოდრამატურგია*). ლიტ. ს-ის გარდა არსებობს რეჟისორული ან დადგმითი ს. იგი შეიცავს ზუსტად გაანგარიშებულ კადრებს პლანების მითითებით და სხვ.; 3. ბალეტში — სიუჟეტის ზუსტი გადმოცემა ცეკვის სხვადასხვა სახეობის, მიმიკური სცენების მინიშნებით. ს-ის მიხედვით კომპოზიტორი ქმნის მუსიკას, ბალეტმაისტერი — სპექტაკლს. 4. ოპერაში — დრამატურგიული გეგმა (ლიბრეტო).


სცენოგრაფია (*სცენა* და *...გრაფია*), თეატრში სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (იხ. აგრეთვე *თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება*).

სცენური მეტყველება, დრამატურგიული ნაწარმოების ხორცშესხმის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება თეატრში. იხ. *სასცენო მეტყველება*.

სციენისებრნი (Sciaenidae), თევზების ოჯახი ქორჭილასნაირთა რიგისა. მოიცავს 80-ზე მეტ გვარს და 150-მდე სახეობას. ახასიათებს ღრმანაჭდევიანი ზურგის ფარფლი, ზოგი გვარის (Sciena) წარმომადგენლებს — კუზიანი ზურგი. გავრცელებული არიან უპირატესად ტროპ. და სუბტროპ. ზღვებსა და ოკეანეებში. საქართველოში შავი ზღვის სანაპიროებთან გვხდება ს-თა 2 სახეობა: მუქი სციენა (Sciena umbra) და ნათელუმბრინა (Umbrina cirrosa). პირველის სიგრ-










ატ. *სომხეთის სსრ (I)*. **1.** ერევანი. ვ. ი. ლენინის მოედანი. **2.** ერევანი. სპანდარიანის მოედანი და თამანიანერის ქუჩა. **3.** აბოვიანი. ქალაქის ხედი. **4.** მზრიანის წყალსატუმბი. **5.** გიუმუშის პიდროელექტროსადგურის საერთო ხედი. **6.** ჩარენცავანის ხელსაწყოთასშენებელი ქარხნის საამქრო. **7.** ერევანი. ამირიანის ქუჩა. **8.** არზნის ხეობა. **9.** გერანის სათბური. პოქტემბერიანის რაიონი.














































სტ. *სომხეთის სსრ (II)*. **1.** ხუროთმოძღვარი მ ა ნ უ ე ლ ი. ჯვრის ტაძარი კ. ალთამარზე. 915—921. **2.** სანაინის მონასტერი. X—XIII სს. მარცხნიდან მარჯვნივ: სამრეკლო, სამნავიანი გავითი, ოთხსვეტიანი გავითი; უკანა პლანზე ამენაფრკიჩის და ასტვაწაწინის ეკლესიები. **3.** მ. გ რ ი გ ო რ ი ა ნ ი. სომხეთის კპ ცკ შენობა. ერევანი. 1950. **4.** ხიდი მდ. დებედის ხეობაში სანაინის მახლობლად. XII ს. დასასრული. **5.** ნორ-გეტიკის მონასტერი. XII—XIII სს., შუაში—ასტვაწაწინის ეკლესია, მარჯვნივ—წიგნსაცავი, მარცხნივ—გრიგორის ეკლესია. **6.** ს. ს ა ფ ა რ ი ა ნ ი. სამედიცინო ინ-ტის შენობა. ერევანი. 1938—55. **7.** ასტვაწაწინის ეკლესია. ელვარდი. 1321—28. **8.** ხუროთმოძღვრები სააკ ხ ი ზ ა ნ ე ლ ი და მ უ რ ა დ ი, გიორგის ეკლესია-მაულნი. 1661—69. **9.** ა. თ ა მ ა ნ ი ა ნ ი ა. სპენდიარიანის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი. ერევანი. 1926—53. **10.** ო. მ ა რ ქ ა რ ი ა ნ ი. კონიაკის ქარხანა. ერევანი. 1952. **11.** ო. ა კ ო ფ ი ა ნ ი. საცხოვრებელი სახლი ჰოქტემბერიანის პროსპექტზე. ერევანი. 1950. **12.** მ. გ რ ი გ ო რ ი ა ნ ი, ე. ს ა რ ა ფ ი ა ნ ი. სასტუმრო „სომხეთი“ ლენინის მოედანზე. ერევანი. 1958.

























სტ. *სომხეთის სსრ (III)*. **1.** „ქრისტე და მახარობლები". ეჩმიაძინის სახარების" მინიატიურა. 989. **2.** რიფსიმეს ეკლესია. ეჩმიაძინი. შუა საუკუნეები. **3.** მხატვარი თ ო რ ო ს რ ო ს ლ ი ნ ი (?). „ანგელოზის გამოცხადება მწყემსაცხებლე დედათა წინაშე". „ჰაშოცის"—მეფე ჰეთუმ II-ის კილიკიური ხელნაწერის მინიატიურა. 1286 ან 1288. **4.** „ხარება". „ბულნის სახარების" მინიატიურა. XI ს. **5.** ხუროთმოძღვარი თ რ დ ა ტ ი. საკათედრო ტაძარი. ანისი. 989—1001. **6.** მხატვარი თ ო რ ო ს რ ო ს ლ ი ნ ი (?). „ქრისტეს საუბარი მოწაფეებთან". „ჰაშოცის" მინიატიურა. 1286 ან 1288. **7.** მხატვარი გ რ ი გ ო რ ტ ა თ ე ვ ა ც ი. „ხარება". XIV ს. დასასრულის სახარების მინიატიურა. ტათევი. **8.** სარქისის ეკლესია. ბკაონქი. 1027. **9.** მხატვარი გ რ ი გ ო რ ი. „საიდუმლო სერობა". თარგმანჩაცის სახარების მინიატიურა. 1232. **10.** ჯვაროვან—გუმბათოვანი ბაზილიკა. უზუნლარი. VI—VII სს.


























სტ. სომხეთის სსრ (IV). **1.** 8. გრიგორიანი. მატენადარანი (ძვ. ხელნაწერთა საცავი). 1959. ერევანი. **2.** 8. სარიანი. „სოფ. ქარინჯის კოლმეურნეობა თუმანიანის მთებში". 1952. **3.** 8. სარიანი. „ქუჩა. შუადღე. კონსტანტინოპოლი". 1910. **4.** ა. აკოფიანი. „ქალი წეავს თევზს". 1962. მხატვრის კუთვნილება. ერევანი. **5.** 8. აბეღიანი. „დიდი და პატარა არარატი". ნახატი. 1948. **6.** ე. თათევოსიანი. „რ. სურენიანცის პორტრეტი". 1891. **7.** პ. ზარდარიანი. „გაზაფხული". 1956. **8.** ს. არაქელიანი. „წყაროსთან." 1928. **9.** ე. ქოჩარი. „დავით სასუნცი". ბრინჯაო. ბაზალტი. 1959. ერევანი. **10.** ს. ალაჯანიანი. „ავტოპორტრეტი". 1926. **11.** ა. გალენცი. „ბიჭის პორტრეტი". 1958. კერძო კუთვნილება. (2,6,8,10—სომხეთის სურათების გალერეა, ერევანი. 3,7 — ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი).


1



2

ილ. *სიბუმის რაიონი* (*I*). **1.** მდ. ბესლეთის ზემოთი. **2.** ბესლეთის ისტორიული ხიდი (XI — XII სს.). **3.** სოფ. ოდიში. საერთო ხედი. **4.** სოფ. ქვემო ლინდა. **5.** ეშერის სასწავლო-საცდელი მეურნეობა. მანდარინის მოსავლის აღება. **6.** სოფ. ბესლეთი. სიბუმის შოთა რუსთაველის სახ. ფეიხოის სანერგე მეურნეობა.

3



4



5





6













სტ. *სოხუმის რაიონი. (II).* **1.** სოხუმი. მაიმუნების სანაშენე პარკი. **2.** სოფ. ეშერა. სოხუმის ფქვილსაფქვავი ქარხანა. **3.** სოფ. ოდიში. სოხუმის მეცვავილეობის სანერგე სათბური. **4.** სოხუმი. ქარხანა „სოხუმხელსაწყო". საამწყობო საამქრო. **5.** სოხუმი. საკონდიტრო ფაბრიკა. **6.** სოფ. ეშერა. საკავშირო სპორტული ბაზა. **7.** სოფ. ოდიში. რვაწლიანი სკოლა.








სტ. სოხუმი. 1. ლენინის ქუჩა. 2. სასტუმრო „აფხაზეთი". 1938. არქიტექტორები. ი. გოლუბევი, ი. შჩუკო. 3. დ. არაყიშვილის სახ. სოხუმის მუსიკალური სკოლა. 4. სოხუმის აფხაზური დასის დრამატული თეატრის შენობა. 1952. არქიტ. მ. ჩხიკვაძე. 5. აფხაზეთის მ. გორკის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. 6. ნავსადგური. 7. აფხაზეთის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლი.




























სტ. სპორტული ნაგებობანი. 1. ოლიმპიური სტადიონი ტოკიო. 1963—64. არქიტექტორი მ.სასიკო მურატა. 2. მაღალმთიანი ყინულის სტადიონი, მედეო, ალმა-ათის მახლობლად. 1972. არქიტექტორები ვ. კაცეევი, ა. კაინარბაევი და სხვ. ინჟინრები ს. მატვეევი, მ. პლახოტნიკოვი და სხვ. 3. სპორტის სასახლე „საიუბილეო". ლენინგრადი. 1967. არქიტექტორები გ. მოროზოვი, ი. სუსლიკოვი და სხვ. ინჟინრები ა. მოროზოვი და სხვ. 4. სათხილამურო ტრამპლინი. ნიჟნი-ტაგილი. (მარჯვნივ—90-მეტრიანი ტრამპლინი, 1975. არქიტექტორები ლ. პერელმანი და სხვ. ინჟინრები ფ. რაზინი და სხვ). 5. სამძლეოსნო დახურული სტადიონი „საფესტივალო". სოფია. 1968. არქიტექტორები დ. ვლადიშკი, ი. ტატაროვი, ინჟინრები ი. ლიუბენოვი და სხვ. 6. ვ. ი. ლენინის სახ. ცენტრალური სტადიონის დიდი სპორტული არენა. მოსკოვი. 1955—56. არქიტექტორები ა. ვლასოვი, ი. როჟინი და სხვ. ინჟინრები ვ. ნასონოვი და სხვ. 7. სპორტის სასახლე. თბილისი. 1961. არქიტექტორები ვ. ალექსი—მესხიშვილი, ი. კასრაძე. ინჟინერი დ. ქაჯაია. ინტერიერი. 8. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო სპორტული კომპლექსი. თბილისი. 1978. არქიტექტორები რ. კიკნაძე, გ. აბულაძე, შ. ყაგლაშვილი.





ძე 70 *სმ*, მეორისა — 1,5 *მ*-მდე აღწევს. ს-თა სარეწაო მნიშვნელობა მცირეა. იყენებენ ნედლს, დამარილებულს, დაკონსერვებულს. *მ. დემეტრაშვილი.*

სცილა (უფრო სწორია სკილა) **და ქარიბდა** (Skylla, Charybdis), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ზღვის ურჩხულები, მორევის განსახიერება, 12-ფეხიანი, 6 გველური თავ-კისერით. სცილა შემზარავად ყეფს, შხუის, სისინებს. ყბები სამწყივა კბილებით აქვს გაჭედილი, ცხოვრობს კლდის მღვიმეში, მის პირდაპირ მეორე ურჩხული ყოფილა ქარიბდა, რ-იც წყალს ნთქავს და ამოანთხევს. ვინც ერთს გადაურჩება, მას მეორე შთანთქავს. გადატანითი მნიშვნელობით ს. და ქ. ორმხრივ საფრთხეს აღნიშნავს. *ა. გელოვანი.*

სცინკისებრნი (Scincidae), ხელიკების ოჯახი. მათი სხეულის სიგრძე 65 *სმ* აღწევს. ქერცლების ქვეშ განლაგებულია ძლოვანი ფირფიტები. ოჯახში დაახლ. 60 გვარი და 700 სახეობაა. გავრცელებულია უმთავრესად აღმ. ნახევარსფეროს ტროპ. ზონაში. სსრკ-ში 10 სახეობაა, ამათგან აღმ. საქართველოში (ქვემო ქართლსა და იორის ზეგანზე) იშვიათად გვხვდება გრძელფეხა სცინკი (Eumeces schneideri), რ-ის სიგრძე 40 *სმ* აღწევს. ბინადრობს ქსეროფიტულ ადგილებში, იკვებება ძირითადად უხერხემლოებით. მრავლდება კვერცხის დებით. შეტანილია საქართვ. „წითელ წიგნში“. *თ. ბუსხელიშვილი.*

სცინტილაცია (ლათ. scintillatio—ციმციმი), ხანმოკლე ($\sim 10^{-4}$—10^{-9} *წმ*) სინათლის აფეთქება (ლუმინესცენცირებელი ნივთიერების ბუნებაზე, ს-ის სიკაშკაშე კი — დამუხტული ნაწილაკების ბუნებაზე და ნაწილაკის იმ ენერგიაზე, რ-საც იგი სცინტილატორის ნაწილაკებს გადასცემს (მაგ., α-ნაწილაკებისა და პროტონების ს. გაცილებით მკვეთრია β-ნაწილაკების ს-ზე). თითოეული ს. ერთი ნაწილაკის მოქმედების შედეგია. ამ გარემოებას იყენებენ სცინტილაციურ მთვლელებში ელემენტარული ნაწილაკების სარეგისტრაციოდ.

სცინტილაციური მთვლელები, ბირთვულ გამოსხივებათა და ელემენტარულ ნაწილაკთა (პროტონების, ნეიტრონების, ელექტრონების, α-კვანტების, მეზონებისა და ა. შ.) სარეგისტრაციო ხელსაწყოები, რ-თა ძირითადი ელემენტებია დამუხტული ნაწილაკების ზემოქმედების მალუმინესცენცირებელი ნივთიერება (სცინტილატორი) და ფოტოელექტრონული მამრავლი (ფემ). მაიონიზებელი ნაწილაკების (α-ნაწილაკები, ბირთვების გაყოფის ნამსხვრევები) მოქმედებით გამოწვეულ სინათლის აფეთქებაზე (სცინტილაციებზე) ვიზუალური დაკვირვება XX ს. დასაწყისში ბირთვული ფიზ. ძირითადი მეთოდი იყო (იხ. *სპინთარისკოპი*). მოგვიანებით ს. მ. მთლიანად შეიცვალა საიონიზაციო კამერებითა და პროპორციული მთვლელებით. 40-იანი წლების ბოლოს, როცა სცინტილაციების რეგისტრაციისათვის ვამოყენებულ იქნა გამლიერების დიდი კოეფიციენტის მქონე მრავალკასკადიანი ფემ, რ-საც უნარი აქვს ალრიცხოს მეტად სუსტი სინათლის აფეთქება, ბირთვულ ფიზიკაში კვლავ დაიწყეს ს. მ-ის ვამოყენება.

ს. მ-ის მუშაობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: სცინტილატორში გავლისას დამუხტული ნაწილაკი დაიონებს და აღაგზნებს ატომებსა და მოლეკულებს, არააგზნებულ (ძირითად) მდგომარეობაში დაბრუნებისას ატომები გამოასხივებენ ფოტონებს (იხ. *ლუმინესცენცია*), რ-ებიც ფემ-ის კათოდზე მოხვედრისას ამოგლეჯენ ელექტრონებს, რის შედეგადაც ფემ-ის ანოდზე აღიძვრება ელექტრული იმპულსი, რ-იც შემდეგ ძლიერდება და რეგისტრირდება. ნეიტრალური ნაწილაკების (ნეიტრონების, γ-კვანტების) დეტექტირება ხდება მეორეული დამუხტული ნაწილაკებით, რ-ებიც წარმოიქმნებიან ნეიტრონებისა და γ-კვანტების ურთიერთქმედებისას სცინტილატორის ატომებთან.

ლიტ.: Биркс Дж., Сцинтилляционные счетчики, пер. с англ., М., 1955.

სცინტილაციური სპექტრომეტრი, ბირთვულ გამოსხივებათა და ელემენტარულ ნაწილაკთა მახასიათებლების (გამოსხივების ინტენსიურობა, ნაწილაკების ენერგია, არასტაბილური ბირთვებისა და ნაწილაკების სიცოცხლის ხანგრძლივობა) გასაზომი ხელსაწყო, რ-ის ძირითადი ელემენტია *სცინტილაციური მთვლელი*. ს. ს-ით ნაწილაკის ენერგიის გაზომვის შესაძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ სცინტილატორის ნათების ინტენსიურობა (სინათლის გამოსავალი) დამოკიდებულია ნაწილაკის მიერ ს. ს-ში დაკარგულ ენერგიაზე.

სციპიონი პუბლიუს კორნელიუს ა ფრიკელი უფროსი (Publius Cornelius Scipio Africanus Major) (ძვ. წ. 235 — ძვ. წ. 183), რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, წარჩინებული პატრიციული ოჯახიდან, II პუნიკური ომის გმირი. კანეს ბრძოლაში (216) თავი ისახელა როგორც სამხ. ტრიბუნმა. 213 ედილად აირჩიეს. 210—205 პროკონსული, წარმატებით იბრძოდა ესპანეთში კართაგენელთა წინააღმდეგ. 205 კონსულად აირჩიეს. 204 აფრიკაში გადასხა 30 ათ. არმია და გაანადგურა კართაგენელთა და ნუმიდიელთა ჯარები. კართაგენის ხელისუფლებამ იტალიიდან გაიწვია *ჰანიბალი*. 202 ჰანიბალი და ს. ერთმანეთს გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდნენ ქ. ზამასთან. ს-მა გაიმარჯვა. 199 ცენზორად და სენატის პრინცეფსად, 194 ისევ კონსულად აირჩიეს. ს-ის განუზომელმა ძალაუფლებამ და ავტორიტეტმა შეაშფოთა რესპუბლიკელთა ბანაკი. მასში ერთპიროვნული ძალაუფლების მაძიებელი ტირანი დაინახეს და მის დასაკნინებლად „საქმეების“ შედგენა დაიწყეს. შეურაცხყოფილმა ს-მა რომი მიატოვა და ლიტერნუმში, საკუთარ ვილაში, გადავიდა სამუდამო საცხოვრებლად. იყო თავისი დროის ფრიად განსწავლული ადამიანი, ბერძნ. ენისა და კულტურის დიდი მცოდნე და თაყვანისმცემელი.

ლ. სანიკიძე.

სციპიონი პუბლიუს კორნელიუს ემილიანუს აფრიკელი უმცროსი (Publius Cornelius Scipio Aemilianus Africanus Minor) (ძვ. წ. 185 — ძვ. წ. 129), რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე ემილიუსების პატრიციული ოჯახიდან. სციპიონ უფროსის შვილობილი. პირველად თავი გამოიჩინა III მაკედონურ ომში, პიდნასთან ბრძოლაში (168). წარმატებით იბრძოდა ესპანეთში 151. აირჩიეს კონსულად და მთავარსარდლად 146. მისი მეთაურობით რომაელებმა კართაგენი აიღეს და გაანადგურეს. 142 როგორც ცენზორმა ბრძოლა გამოუცხადა ფუფუნებას, მაგრამ ამაოდ. 133 მეორედ აირჩიეს კონსულად და მთავარსარდლად გაგზავნეს ესპანეთში ნუმანციის აჯანყების ჩასაქრობად. აჯანყება ჩააქრო. იგი მტრულად შეხვდა თავისი ცოლისძმის, ტიბერიუს გრაკქუსის აგრ. რეფორმას. გარდაიცვალა მოულოდნელად. სახ. კრებაზე დანიშნული გამოსვლის წინ. იყო თავისი დროის განათლებული ადამიანი, ბერძნ. კულტურის დიდი მცოდნე და თაყვანისმცემელი. მის გარშემო თავს იყრიდნენ იმდროინდელი რომის კულტ. მოღვაწენი, მწერალნი, ხელოვანნი, ისტორიკოსნი („სციპიონის წრე“).

ლ. სანიკიძე.

სციტამინალეები (Scitaminales). ერთლებნიან მცენარეთა რიგი. მაღალი მრავალწლოვანი ბალახებია. მათი დიდი ფოთლები დანაწევრებულია ხალთად, ყუნწად და ფირფიტად. ყვავილი ზიგომორფული ან ასიმეტრიულია; ყვავილსაფარი შედგება 3-წევრიანი ჯამისა და გვირგვინისაგან, იშვიათად ერთგვაროვანია, გვირგვინისებრი. ს-ის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს 6 ნორმალური მტვრიანა, უმრავლესობას კი ერთი ნორმალური მტვრიანა გააჩნია, დანარჩენი 5 გადაქცეულია დიდ, მკვეთრად შეფერილ, გვირგვინის ფურცლის მსგავს *სტამინოდიუმებად*. კანასებრთა და მარანტასებრთა ოჯახებში ამ ერთადერთი მტვრიანას მხოლოდ ერთი ნახევარი ივითარებს ორბუდიან სამტვრეს, მეორე ნახევარი გარდაქმნილია ფურცლისებრ სტამინოდიუმად. ნასკვი ქვედაა, ნაყოფი კოლოფი ან კენკრისებრია. ს. აერთიანებს 4 ოჯახს (800-მდე სახეობას): ბანანისებრნი, ჯანჯაფილისებრნი, კანასებრნი და მარანტასებრნი. იზრდებიან ორიენ ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში.

სციფოიდურნი (Scyphozoa), ზღვის ცხოველების კლასი *ნაწლავღრუიანთა* ტიპისა. აქვთ *პოლიპის* ან *მედუზის* ფორმა. ახასიათებთ რადიალური სიმეტრია. ნაწლავი სიგრძეზე რადიალური ტიხრებით დაყოფილია ცენტრ. ნაწილად და გვერდით ჯიბეებად. დამახასიათებელია თაობათა მორიგეობა: კვერცხიდან იჩეკება ლარვა — *პლანულა*, რ-იც სუბსტრატს ემაგრება და გარდაიქმნება პოლიპოიდურ თაობად — სციფისტომად. ეს უკანასკნელი დაკვირტვით წარმოქმნის თავისსავე მსგავს პოლიპებს, ხოლო განივი დაყოფისას გამოყოფს სციფომედუზების ლარვებს (ეფირებს). ზოგიერთი სახეობა (ფესვპირიანები) მსუსხავია. ზოგიერთი სციფომედუზის ზომა სასიკვდილოა ადამიანისთვისაც. ცნობილია ს-თა 200-მდე სახეობა, რ-ებიც გავრცელებული არიან ყველა ოკეანეში. სსრკ-ში ს-თა 30-მდე სახეობა გვხვდება. *ა. ჯანაშვილი.*

სწავლა, ადამიანის მიზანდასახული ქცევის ფორმა, რ-ის მიზანია გარკვეული ცოდნა-ჩვევების, ქცევის ფორმებისა და მოქმედების სახეების დაუფლება. ს. მთლიანპიროვნული შეგნებული ქცევაა და არ დაიყვანება ცალკეული ფსიქ. ფუნქციების (მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და სხვ.) მოქმედებაზე ან მათ ჯამზე. მას, როგორც ქცევის სპეციფ. ფორმას, საკუთარი სტრუქტურა აქვს და ცალკეული ფსიქ. კომპონენტები ამ სტრუქტურის ფარგლებში ფუნქციონირებს.

დ. უზნაძის მიხედვით, ს. გარდამავალია თამაშსა და შრომას შორის. იგი პიროვნების ძალების განვითარებას ემსახურება, მაგრამ ამ ძალების განვითარებისათვის მასალა მას ეძლევა გარედან პედაგოგიურად ორგანიზებული წესით.

ს-ის ეფექტურობა და ნაყოფიერება დამოკიდებულია სასწ. პროცესის სწორ ორგანიზაციაზე, თვით მოსწავლის სასწ. აქტივობასა და იმ უკუქცევითი კავშირების განხორციელებაზე, რ-ებიც უზრუნველყოფენ სწორი ინფორმაციის მიღებას უკვე შესრულებულ მოქმედებაზე.

ფსიქოლოგიას აინტერესებს სწავლითი აქტივობა, მისი მიმდინარეობის პროცესი და განმსაზღვრელი ფაქტორები ს-ის ზროცესის გასაადვილებლად.

იხ. აგრეთვე *სწავლების ფსიქოლოგია*.

გ. ცჭედლიშვილი.

სწავლება, ცოდნის გადაცემისა და ათვისების, შემეცნებითი და პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევათა ფორმირების ერთიანი, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი, რ-იც მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხორციელდება. ს. ორმხრივი პროცესია — მასწავლებლისა (გადაცემა) და მოსწავლის (*სწავლა*, ათვისება) თანამოქმედება. ს. და აღზრდა-განვითარება განუყოფელია.

ს. პიროვნების აღზრდის ერთი მხარეა, რ-იც ხორციელდება არა მარტო სხვადასხვა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში, არამედ წარმოებებშიც, ყველა სახის შრომით საქმიანობაში, საზოგადებულო სამს. სამსახურში, ყოფაცხოვრებაში. ადამიანი სწავლობს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არა მარტო ს-ის, არამედ თვითგანათლების გზითაც.

ს-ის პროცესის ორგანიზატორი და ცენტრ. ფიგურაა მასწავლებელი. ყოველ კლასობრივ საზ-ბაში ს. კლასობრივ ხასიათს ატარებს.

საბჭ. პედაგოგიკაში ს-ის პროცესის მეთოდოლ. საფუძველს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორია. ს. შემეცნების თავისებური ფორმაა. ს. და შემეცნება ურთიერთმსგავსი, მაგრამ არა იდენტური პროცესებია. შემეცნება და ს. წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის ასახვას ცნობიერებაში. განსხვავება იმაშია, რომ ს. მიზნად ისახავს მეცნ. შემეცნების შედეგად კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ათვისებას მოსწავლეთა მიერ. მეცნ. შემეცნება კი დაუსრულებელი პროცესია ისევე, როგორც უსასრულოა თვით სამყარო. ს. განსაზღვრულია სასწ. გეგმებით, პროგრამებით, სახელმძღვანელოებით. შემეცნება უშუალო პროცესია, ს. კი — გაშუალებული.

ს-ის ძირითადი წინააღმდეგობა, რ-იც უზრუნველყოფს მის განმავითარებელ ფუნქციას, არის წინააღმდეგობა, რ-იც აღმოცენდება მოსწავლეებისადმი ს-ის პროცესში წაყენებულ მუდმივად გართულებულ მოთხოვნებსა და მათ შესაძლებლობებს შორის. თუ სასწ. მასალის სირთულე ზუსტად შეესაბამება მოსწავლის განვითარების დონეს, განვითარება აღარ მოხდება. ს-ში დაძლეულ სიძნელეთა გზით მოსწავლეები განვითარების ახ. საფეხურზე ადიან (მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობით). ს-ის განმავითარებელი ფუნქცია მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტი ადგილი ეთმობა ს-ში მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, რაც უფრო მეტია მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობა.

არსებობს ს-ის მრავალგვარი ორგანიზაციული სისტემა: ინდივიდ. ს., ინდივიდ.-ბრიგადული ს., ს-ის საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, ს-ის საკურსო სისტემა, ლექციურ-სემინარული ს. და სხვ. თითოეული მათგანი იყენებს მისთვის დამახასიათებელ ს-ის ორგანიზაციის ფორმებს, რ-ებიც უკეთ უზრუნველყოფენ მოსწავლე ახალგაზრდობის ს-ს, აღზრდასა და მათი შემეცნებითი ძალების განვითარებას. *დ. გურგენიძე.*

სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და განვითარების სპეციფიკურ საშუალებათა ერთობლიობა. არსებობს ს. ო. ფ-ის სხვადასხვა სისტემა: ინდივიდ. სწავლების სისტემა, ინდივიდ.-ბრიგადული სწავლების სისტემა, *სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემა*, *სწავლების საკურსო სისტემა*, სწავლების სალექციო-სემინარული სისტემა და სხვ.

დ. გურგენიძე.

სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, სწავლების პროცესის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც მოსწავლეები დაჯგუფებული არიან ასაკობრივ კოლექტივებად — კლასებად (რ-ებიც ძირითადად ინარჩუნებენ შემადგენლობას მთელი სასწავლო დროის განმავლობაში) და სწავლების წამყვანი ფორმაა *გაკვეთილი*. კლასები განლაგებულია ვერტიკალურად (სწავლების წლები) და ჰორიზონტალურად (პარალელური კლასები).

ისტორიულად ს. ს.-ს. ს-მ შეცვალა ინდივიდ. სწავლება. *ათენური აღზრდის* და *სპარტანული აღზრდის* სისტემები უკვე ითვალისწინებდა სკოლაში შესვლის ერთიან ასაკს (7 წ.), სწავლების საფეხურებს და სასწ. ჯგუფებს. რენესანსის ეპოქაში ფ. მელანქთონის (გერმანია) და ი. შტურმის (საფრანგეთი) სასწავლებლებში განსაკუთრებით XVI ს-ში სამხრ.-დას. რუსეთის (ლვოვში, ლუცკში და სხვ.) ძმათა სკოლებში იყო კლასები და სასწავლო გეგმები. ს. ს.-ს. ს-ის პირველი თეორ. დასაბუთება ეკუთვნის ი. ა. კომენსკის. ამ სისტემის შემდგომ მეცნ. დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა კ. უშინსკიმ. ს. ს.-ს. ს-ის დამუშავებისა და დახვეწის პროცესში, განსაკუთრებით XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მიიღეს კანონი სავალდებულო სწავლების შესახებ, თავი იჩინა რთულმა და აქტუალურმა პრობლემებმა: მოსწავლეთა დანაწილება კლასების მიხედვით, გადაყვანა შემდგომ კლასებში, სწავლების ინდივიდუალიზაცია და სხვ. კაპიტალ. ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) ამ პრობლემების გადაწყვეტა სცადეს მოსწავლეთა შერჩევით მათი ნიჭის მიხედვით და სათანადოდ „ძლიერი", „საშუალო" და „სუსტი" კლასების შექმნა, რასაც მოჰყვა სასწ. პროგრამებისა და გეგმების, სწავლების მეთოდების დიფერენციაცია. ეს კი თავის მხრივ, გამორიცხავდა „სუსტიდან" „საშუალოში"ან „ძლიერში" გადასვლას. შერჩევა ტარდებოდა მოსწავლეთა გონებრივი უნარის ტესტებით გამოცნობის საფუძველზე, რასაც ბურჟ. მმართველი წრეები იყენებდნენ როგორც მოსწავლეთა კლასობრივი სელექციის საშუალებას. საბჭ. სკოლაში პედოლოგების ამგვარი ცდები დაგმეს საკ. კპ (ბ) ცკ-ის 1936 წ. 4 ივლ. დადგენილებაში „განსაკომის სისტემაში პედოლოგიურ დამახინჯებათა შესახებ". სწავლების თეორია და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა დაჯგუფებას მათი ნიჭის მიხედვით, აქვს რა ზოგიერთი ორგანიზაციული უპირატესობა, ჰუმან. ურობის პოზიციებიდან მოჰყვება მეტად არასასურველი შედეგები, ზოგჯერ ფსიქ. ტრავმაც კი. თანაც, ის პრაქტიკულადაც განუხორციელებელია ძირითადად იმის გამო, რომ არ არსებობს მოსწავლეთა ნიჭიერების ობიექტური შეფასების მეცნ. ხერხები და კლასის ერთგვაროვანი შემადგენლობაც სულ მუდამ ირღვევა მოსწავლეთა არათანაბარი განვითარებისა და მათი ინტერესებისა და მიდრეკილებების სხვადასხვაობის გამო.

საბჭ. სკოლის პირობებში ს. ს.-ს. ს. უზრუნველყოფს სასწ. მუშაობის ორგანიზაციას, მასწავლებლის ხელმძღვ. როლს სწავლების პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეთა კოლექტივის (რ-იც თავად იქცევა სწავლებისა და აღზრდის საშუალებად) ჩამოყალიბებას. ზოგადსაგანმან. სკოლების გარდა ს. ს.-ს. ს-ს იყენებენ პროფტექ. სასწავლებლებსა და საშ. სპეც. სასწავლებლებში. *ვ. ბაქრაძე.*

სწავლების საკურსო სისტემა, სასწავლო დისციპლინების განაწილება სწავლების წლების, კურსებისა და სემესტრების მიხედვით და მკაცრი სასწავლო გრაფიკისადმი დამორჩილება. ითვალისწინებს სტუდენტთა მიერ ყველა ლექცია-მეცადინეობაზე დასწრებას, დანიშნულ ვადებში გამოცდების ჩაბარებას.

ს. ს. ს. მიღებულია სსრკ უმაღლესი სასწავლებლების დღისა და საღამოს სწავლების ფაკ-ტებსა და განყ-ბებზე. მის გვერდით არსებობს აგრეთვე სწავლების საგანმარივი საკურსო სისტემა.

სწავლების ტექნიკური საშუალებები, სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად გამოყენებული ინფორმაციის საჩვენებელი და დასამუშავებელი სისტემები, კომპლექსები, მოწყობილობები და აპარატურა. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ს. ტ. ს-ის სამ ძირითად კლასს: ინფორმაციულს, მაკონტროლებელსა და მასწავლს.

ინფორმაციულ კლასში შედის რადიომაუწყებლობა, სასწავლო კინო, ტელევიზია, დიასკოპი, *ეპიდიასკოპი*, ლინგაფონური მოწყობილობა და სხვ.

მაკონტროლებელი ს. ტ. ს-ით ადგენენ სასწავლო მასალის ათვისების ხარისხს. იგი ორგვარია: ინდივიდ. და ჯგუფური (ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მასწავლი პროგრამის ტიპის მიხედვით). უმაღლეს და საშ. სასწავლებლებში იყენებენ მაკონტროლებელი მოწყობილობით ,აღჭურვილ აუდიტორიებს (იხ. *ავტომატიზებული სწავლების კლასი*).

მასწავლი დიდაქტიკური შესაძლებლობანი, ისე, როგორც მაკონტროლებელი ს. ტ. ს-ისა, განისაზღვრება პროგრამების სრულყოფის ხარისხით. პროგრამები და ს. ტ. ს. ორგანულად არიან ურთიერთდაკავშირებული. გავრცელებულია დაპროგრამებული სახელმძღვანელოები, მასწავლი პროგრამები, მასწავლი მანქანები და სხვ.

ს. ტ. ს-ის ყველა სახეობის კომპლ. გამოყენება ქმნის იმის პირობებს, რომ გადაწყდეს სწავლების ძირითადი ამოცანა: გაუმჯობესდეს სპეციალისტების მომზადების ხარისხი თანამედროვე სამეცნ.-ტექ. პროგრესის მოთხოვნის შესაბამისად.

ლიტ.: ჯიბლაძე გ., დაპროგრამებული სწავლებისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრობლემები, «სკოლა და ცხოვრება», 1971, № 4; Карпов Г. В., Романин В. А., Технические средства обучения, 2 изд., М., 1972.

სწავლების ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგიის ნაწილი, სწავლობს ცოდნის გადაცემისა და ჩვევების გამომუშავების პედაგოგიურად ორგანიზებული პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. საბოლოო მიზნად ისახავს მოზარდის მომზადებას შრომისა და ცხოვრებისათვის.

სწავლების პროცესი წარმოადგენს „მასწავლებელ-მოსწავლის" ურთიერთმოქმედებას, რ-შიც მასწავლებლის აქტივობასთან ერთად შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორებით განსაზღვრული მოსწავლის სასწ. აქტივობაც იგულისხმება, ამიტომ ს. ფ. სასწ. პროცესის აგებისას ითვალისწინებს სასწ. აქტივობის ისეთი განმსაზღვრელი ფაქტორების მოქმედებას, როგორიცაა ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდ. თავისებურება, მისი ფსიქ. უნარ-შესაძლებლობანი, თვით სასწ. მასალის თავისებურება, მისი შინაარსი, ფორმა, ორგანიზაცია და სხვ.

საბჭ. ს. ფ-თვის ძირითადია დებულება იმის შესახებ, რომ სწავლება წინ უნდა უსწრებდეს ფსიქ. ძალების მომწიფებას-განვითარებას, რაც მოზარდის საერთო განვითარებაზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებას იძლევა. იხ. აგრეთვე სტ. *სწავლა*.

ლიტ.: უზნაძე დ., ადამიანის ქცევის ფორმები, შრომები, ტ. 5, თბ., 1967; ფრანგიშვილი ა., სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, თბ., 1969.

გ. ჩხენკელიშვილი.

სწავლულ კაცთა კომისია, ვახტანგ VI-ის თაოსნობით შექმნილი ჯგუფი სწავლულებისა, რ-საც უნდა დაეწერა „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება, საქართველოს ისტორია XIV ს-იდან და ჩაეტარებინა სარედაქციო სამუშაოები ამ კრებულში. კომისიამ სარედაქციო სამუშაოები XVIII ს. დასაწყისშივე დაამთავრა, XVI—

XVII სს. ისტორიის დაწერა კი — არაუადრეს 1721 წლისა. ს. ჯ. ქ-მ, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას წაუმძღვარა შესავალი, რ-შიც განმარტებულია სწაველულ კაცთა კომისიის მოწვევის მიზეზი და მისი მუშაობის უმთავრესი შედეგები (იხ. აგრეთვე „ახალი ქართლის ცხოვრება“).

წყარო და ლიტ.: გ რ გ ო ლ ი ა კ., ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ნაწ. 1 — ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977. *ჯ. სტეფნაძე.*

სწორება ლითონდამუშავებაში, ლითონის ნაკეთობებზე (ფურცლები, მილები, რელსები და სხვ.) გარე ძალების მოდებით არასასურველი სიმრუდის აცილება ან შემცირება მათი წარმოებისას, ინვიათად მათი გამოყენებისას (ლითონის კონსტრუქციების საამქროში და სხვ.).

სწორების სახეები: ერთჯერადი (პერიოდული), მრავალჯერადი (უწყვეტი), ს. განგრეხითა და გაჭიმვით.

ერთჯერადი ს. მიმდინარეობს საწრფვებელ წნეხზე; ნაკეთობა დევს ორ საყრდენზე; ამოზნექილ ნაწილზე მოდებული ძალა ასწორებს ნაკეთობას. ამ მეთოდის ნაკლია დაბალი სიზუსტე და მნიშვნელოვანი ნარჩენი ძაბვა. მრავალჯერადი ს-ის დროს ნაკეთობაზე ღერძული მიმართულებით გადაადგილებისას მოქმედებს ძალები და იგი სწორდება. გაჭიმვით ასწორებენ თხელ ფურცლებსა და ზოლებს. განგრეხით — დაგრეხილ მილებს.

სწორება ანაწყობისა, სასინჯე (საკორექტორო) ანაბეჭდზე მონიშნული შეცდომების გასწორება: ხელით ან ასოთჩამოსხმითი აწყობისას შეცდომით ჩაწყობილი ლიტერების შეცვლა ან სტრიქონების ხელმეორედ აწყობა, სტრიქონთჩამოსხმითი აწყობისას კი — შეცდომების შემცველი სტრიქონების შეცვლა სწორი სტრიქონებით. ანაწყობის დიდი ს. იწვევს მის ხელმეორედ დაკაბადონებას, ე. ი. ანაწყობის გადაწყობას. ფოტოანაწყობის ს-ის დროს იცვლება დიაპოზიტივიდან (ნეგატივიდან) არასწორად აწყობილი სტრიქონები ან მთელი დიაპოზიტივი (ნეგატივი).

სწორი ნაწლავი (Intestinum rectum), მსხვილი ნაწლავის ბოლო ნაწილი, რ-იც უკანა გასავლით (ყითით) თავდება. მოზრდილი ადამიანის ს. ნ-ის სიგრძეა 14—18 *სმ*, სანათურის დიამეტრი ზემო ნაწილში — 4 *სმ*, ქვემოთ კი — 7,5 *სმ*-მდე ფართოვდება და წარმოქმნის *ამპულას*. ს. ნ-ში განარჩევენ ზემო (მენჯის, 12—15 *სმ*) და ქვემო (ანალურ, 2,5—3,7 *სმ*) ნაწილებს. ქალის ს. ნ. საშვილოსნოს უკანაა, ხოლო კაცისა — შარდის ბუშტის უკან. ს. ნ-ის მენჯის ნაწილი მეტნაკლებად დაფარულია პერიტონეუმით, ანალური ნაწილი კი მოკლებულია ამ საფარველს. კუნთოვანი გარსის გარეთა ბოჭკოები არ ჯგუფდება 3 გასწვრივ ზონრად, როგორც ეს აღინიშნება კოლინჯში, იგი მთლიანი შრის სახით ეკვრის გარს ს. ნ-ს. ყითის მიდამოში შიგნითა ცირკულარული შრის კუნთოვანი ბოჭკოები მსხვილდება და წარმოქმნის ყითის შიგნითა ანუ უნებლიე სფინქტერს, ხოლო კანის ქვეშ მდებარე შორისის კუნთი — ყითის გარეთა ანუ ნებსით სფინქტერს. ლორწოვანი გარსი, კარგად განვითარებული ლორწქვეშა შრის მეშვეობით, ქმნის მრავალ ნაოჭს. ს. ნ-ში უხვად არის განვითარებული ვენური წნულები. იხ. აგრეთვე სტ. *ნაწლავები*. *ვლ. აბაშიძე.*

სწორი ნაწლავის გამოვარდნა, სწორი ნაწლავის ნაწილობრივი ან სრული გამოვარდნა უკანა გასავლიდან გარეთ. ბავშვებში უფრო ხშირია, ვიდრე მოზრდილებში. ს. ნ. გ-ს ხელს უწყობს ნაწლავის დამაფიქსირებელი აპარატის განუვითარებლობა, სწორი ნაწლავის მენჯის ძირის კუნთების სისუსტე, კუდუსუნის გადახრა და სხვ. ს. ნ. გ. შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ფიზ. შრომამ (განსაკუთრებით დასუსტებულ ადამიანებში), მუცლისა და მენჯის ტრავმამ, კუჭ-ნაწლავის დაავადებამ, მძიმე მშობიარობამ, ბავშვებში კუჭის ხანგრძლივმა აშლილობამ, ძლიერმა და ხანგრძლივმა ხველებამ და სხვ. სუბიექტურად ვლინდება ტკივილებით დეფეკაციის დროს. ზოგჯერ ს. ნ. გ-ს თან ახლავს აირებისა და განავლის უნებლიე გამოყოფა. მკურნალობა: ბავშვებში ს. ნ. გ-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია, კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგება; მოზრდილებში ეფექტურია მხოლოდ ქირურგ. ოპერაცია.

ს. ნ. გ. ცხოველებში, უფრო ხშირად შეინიშნება ღორებსა და ძაღლებში, უფრო იშვიათად მოსდის მსხვ. რქ. საქონელს. ხელშემწყობი ფაქტორებია სწორი ნაწლავის კუნთოვანი ტონუსის დაქვეითება, ანუსის სფინქტერის შესუსტება, ცხოველის საერთო სისუსტე. ს. ნ. გ-ის უშუალო მიზეზებია ზვების დროს ხშირი და ძლიერი ჭინთვები, სწორ ნაწლავში გამაღიზიანებელ ნივთიერებათა შეყვანა და სხვ.

სწორფრთიანები (Orthoptera ანუ Saltatoria), იმ მწერების რიგი, რ-თაც ახასიათებს არასრული გარდაქმნა. აქვთ მოგრძო, გვერდებიდან შებრტყელებული სხეული, მღრღნელი პირის ორგანოები. ს-ის უმრავლესობას აქვს 2 წყვილი ფრთა, ზედა ვიწროა და მკვრივი, გამოხატულად დაძარღვული, უკანა — ფართო, სიფრიფანა, მარაოსებრ იკეცება. ზოგს ფრთები დამოკლებული ან სულ არა აქვს. უკანა კიდურები სახტომია. მუცელი 10-ნაწევრიანია, ბოლოვდება დაუნაწევრებელი დანამატებით — ცერკებით, ზოგი სახეობის დედლებში—კვერცხსადებით. ს-ის რიგი იყოფა 2 ქვერიგად — გრძელულვაშიანებად (Dolichocera, ანუ Ensifera, კუტკალიები, ჭრიჭინები), რ-თაც აქვთ გრძელი ანტენები და კვერცხსადები, და მოკლეულვაშიანებად (Brachycera ანუ Caelifera, კალიები), რ-თაც აქვთ მოკლე ულვაშები და კვერცხსადები. რიგში 20 ათ-მდე სახეობაა, რ-ებიც ფართოდ არიან გავრცელებული. სსრკ-ში 700-ზე მეტი სახეობა გვხვდება. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ს. სამხრეთში (ყირიმი, კავკასია, შუა აზია, სამხრ. ზღვისპირეთი). ს-ის უმრავლესობა მცენარეებით იკვებება, ზოგი მტაცებელი ან ნაირჭამიაა. ზოგი ს. (განსაკუთრებით კალიები) სას.-სამ. კულტურების საშიში მავნებელია. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება მწვანე, ჩვეულებრივი, გრძელი, რუხლაქებიანი, თეთრშუბლა და სხვა ნაირჭამია კუტკალიები, რ-ებიც აზიანებენ ციტრუსებს, ჩაის ბუჩქებს, თამბაქოს, ხორბალს და სხვა სას.-სამ. კულტურებს. კალიებიდან ჩვენში ყველაზე საშიში მავნებელია ეგვ. კალია, გვხვდება აგრეთვე იტალ. კალია, უდაბნოს კალია და სხვ., რ-თაც განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვთ აღმ. საქართვ. სოფლის მეურნეობისათვის. ჭრიჭინებიდან საქართველოში შედარებით მავნე სახეობებია ეელის, სახლის, მინდვრის, ვაზის ჭრიჭინები, აგრეთვე მახრა ანუ ბოსტანა და სხვ., რ-ებიც გავრცელებული არიან მთელ საქართველოში და ზიანს აყენებენ სას.-სამ. კულტურებს.

სწორფრობა (ხევსურეთი), წაწლობა (ფშავი) (სიტყვასიტყვით — ტოლი და მსგავსი), ქალ-ვაჟის ერთად დაწვენის ჩვეულება. ს. სხვადასხვანაირი იყო: ს-ს ნანდაური ერქვა, როდესაც ქალ-ვაჟის ერთად დაწვენისას ითვალისწინებდნენ ურთიერთმოწონებას, სიყვარულს (პირს, რ-იც მათ შორის შუამავლობდა და მათ ერთად აწვენდა, „ელჩი“ ეწოდებოდა). ს-ს წოლა-დგომა ერქვა, როცა მოწონების ფაქტორი არ მოქმედებდა და მას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ერთად შეეძლოთ დაწოლილიყვნენ ნათესავი ახალგაზრდები, თუ მათ ერთმანეთის ნახვა უხაროდათ, ერთად ყოფნა და საუბარი ეხალისებოდათ („დეიდაშვილ - მამიდაშვილობა“, „დისწულ-დედიძმობა“); სარძლო ან მისი რომელიმე მოგვარე ქალიშვილი საქმროს მოგვარე ვაჟთან; სასიძო და სარძლოს რომელიმე მოგვარე, ე. წ. „ცოლისდა“ („ზალ-ქმრეულობა“, „სიძე-ცოლისდობა“); მასპინძლის ახლობელი ქალიშვილი ან და-ბიძაშვილი საპატიო, ახლობელ სტუმართან (ძმობილი, მეგობარი და ა. შ.). სწორფერთა ურთიერთობა მტკიცედ დადგენილ ნორმებს ექვემდებარებოდა, რ-იც გამორიცხავდა ინტიმურ ურთიერთობას. ამ წესის დამრღვევს სახელი უტყდებოდა. ნანდაურ სწორფერთა შორის ქორწინება აკრძალული იყო.

ლიტ.: ო ჩ ი ა უ რ ი ა., სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.

თ. ოჩიაური.

სწორხაზოვნად მიმმართველი მექანიზმი, *სახსროვანი მექანიზმი*, რ-ის მეშვეობით ხორციელდება სწორხაზოვანი მოძრაობა სპეციალური მიმმართველების გარეშე. ამას აღწევენ მექანიზმის წევრების (რგოლების) სიგრძეებს შორის თანაფარდობის შერჩევით. ყველაზე მეტად ცნობილია პ. *ჩებიშევისა* და ჯ. *უატის* ს. მ. მ-ები. ორივე მექანიზმი შედგება 4 წევრისაგან, რ-ებიც ერთმანეთს შორის ქმნიან ბრუნვითს წყვილებს. თუ დავუშვებთ, რომ ჩებიშევის ს. მ. მ-ის (იხ. *ჩებიშევის პარალელოგრამი*) დგარის (უძრავი წევრის) სიგრძე 1-ის ტოლია, ხოლო ბარბაცას (დგარის მოპირდაპირე წევრი) სიგრძეს *r*-ით აღვნიშნავთ, მაშინ დანარჩენი ორი წევრის სიგრძე ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს $l=1{,}5-0{,}5r$, როცა r 0,333—0,643 ზღვრებშია. ს. მ. მ-ს იყენებენ მარეგისტრირებელ ხელსაწყოებში თვითმწერი კალმის სწორხაზოვანი მოძრაობისათვის.

სწრაფალმავლობა თვითმფრინავისა, მინიმალური დრო, რ-იც საჭიროა ფრენის მოცემული სიმაღლის მისაღწევად. მიწის დონიდან ს-ის განსაზღვრისას ითვალისწინებენ აფრენისა და საჭირო სიმაღლეზე ასასვლელად ყველაზე ხელსაყრელი გაქანებისათვის დახარჯულ დროს. ს. დამოკიდებულია ძრავების სიმძლავრეზე, თვითმფრინავის მასასა და აეროდინამ. სრულყოფილებაზე. ყველაზე დიდი ს. აქვს თვითმფრინავ-გამანადგურებლებს.

სწრაფი ნეიტრონები, *ნეიტრონები*, რ-თა კინეტიკური ენერგია ~100 *კევ*-ზე მეტია. ს. ნ-ს დიდი პრაქტ. მნიშვნელობა აქვს ბირთვულ რეაქტორებში. ზოგიერთი ტიპის რეაქტორი მხოლოდ ს. ნ-ით მუშაობს.

სწრაფმჭრელი ფოლადი, უხვად ლეგირებული ფოლადი, რ-საც უმთავრესად იყენებენ ნახშირბადოვანი საიარაღო ფოლადისაგან დამზადებულ იარაღზე 3—5-ჯერ უფრო დიდი სიჩქარით მომუშავე მჭრელი იარაღის დასამზადებლად. ასეთი სიჩქარით მუშაობის შესაძლებლობა გაპირობებულია ს. ფ-ის წითელმედეგობით. მისგან დამზადებული იარაღი რბილდება 550—600°C ტემპ-რაზე. ფოლადის წითელმედეგობას უზრუნველყოფენ მალეგირებელი ელემენტები: W, Cr, V, რ-ებიც წარმოქმნიან მაღალი მდგრადობის კარბიდებს. საჭირო სტრუქტურისა და თვისებების მისანიჭებლად ს. ფ-გან დამზადებულ იარაღს ახურებენ 1240—1300°C-მდე, დაყოვნების შემდეგ აწრთობენ და რამდენჯერმე (საერთოდ 3-ჯერ) უტარებენ მოშვების პროცესს 560—620°C-ზე. ს. ფ-ის მდგრადობის გასაზრდელად მიმართავენ მის დაციანებას, ქლორით დამუშავებას, საფეხუროვან წრთობას და სხვ. სსრკ-ში გავრცელებული ს. ფ-ის მარკებია: P18 (0,7÷0,8%C;



სხალთა. ეკლესია. XIII ს. ჩრდილო-დასავლეთის ხედი.

17,5÷19%W; 3,8÷4,6%Cr; 1÷1,4%V; დანარჩენი რკინა), P6M3 (0,85÷0,95%C; 3,0÷3,5%Cr; 5,5÷6,5%W; 3,0÷3,6%Mo; 2,2÷2,5%V; დანარჩენი რკინა) და სხვ. ს. ფ-ს ზოგჯერ იყენებენ **მანქანათმშენებლობაში** ისეთი **დეტალების** დასამზადებლად, რ-ებიც 500—650°C-მდე ხურდება (მაგ., თბომედეგი **ბურთულასაკისრების** დასამზადებლად და სხვ.).

სწრაფსადენი, ღია მოპირკეთებული არხის ან ღარის სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რ-ის დანიშნულებაა დიდი სიჩქარის წყლის ნაკადის გადაყვანა წყალსატარის (წყალსატევის) ზედა უბნიდან ქვედაში. ს-ს აგებენ ჰიდროკვანძში წყლის გადასაშვებად წყალმოვარდნის დროს, სადერივაციო ჰესების წყალსაგდების ტრაქტზე, სარწყავსა და ამოსაშრობ არხებზე, აგრეთვე როგორც თევზგამტარ და ხე-ტყის საშვებ ნაგებობას. ს. შედგება შესავალი ნაწილის, წყალფერდისა და გამოსავალი ნაწილისაგან. ს. არის ბეტონის, რკინაბეტონის, იშვიათად — ხისა და ქვისა.

სწროფავი, სოფელი დუშეთის რ-ნში (ჟინვალის სადაბო საბჭო), ხორხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ*, დუშეთიდან 20 *კმ*. ბულაჩაურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. მაღაროსკარში (8 *კმ*).

სხალთა, მდინარე ხულოს რ-ნში, აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 2220 *მ*-ზე. სიგრძე 29 *კმ*, აუზის ფართ. 223 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა— ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 7,54 *მ*³/*წმ*. *ი. აფხაზავა.*

სხალთა, ისტორიული სოფელი სამხრ. საქართველოში, ახლანდ. სოფ. მაჭახტიის (ახალქალაქის რ-ნი) ახლოს. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.


წყარო: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგნ. მ, თბ., 1958.

სხალთა, ყ ი ნ ჭ ა უ რ ი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, XIII ს. ეკლესია. მდებარეობს ხულოს რ-ნში. ეკლესიის ინტერიერში მოხატულობის ფრაგმენტებია. გარშემო გვიანდ. შუა საუკ. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებია, მ. შ. მარანი და სხვ. მდ. სხალთაზე შუა საუკ. ხიდია.

სხალნარი, ისტორიული სოფელი აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლში, ძვ. გომარეთისხევის მარჯვ. მხარეს. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1—2, ტფ., 1935.

სხალტბა, სოფელი მცხეთის რ-ნში (წეროვნის სოფსაბჭო), სხალტბის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 860 *მ*, მცხეთიდან 20 *კმ*. წეროვნის მევენახეობის საცდელი მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. წეროვანში (2 *კმ*). სოფლის დან-ით, 1,5 *კმ*-ზე, სასაფლაოზე, დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — აგურით ნაგები ერთნავიანი ეკლესია. სამხრ. კარის თავზე მოთავსებული წარწერის თანახმად, ეკლესია 1669 აუშენებია ივანე ზედგინიძის ძეს სახლთუხუცეს შიოშსა და მის მეუღლეს თამარს.



სხივრი. ე. წ. უძრავი წმ. გიორგის ეკლესია- განვითარებული შუა საუკუნეები. სამხრეთ-დასავლეთის ხედი

სამხრ. კარიბჭის ერთ-ერთი სვეტის წარწერაში მოხსენიებულია ოსტატი სარქარი მელქან ფურცხვანიძე. ეკლესიას სამხრით ფასადის მხარეს მიშენებული აქვს 4 ისრული თაღით გახსნილი კარიბჭე, რ-ის 3 რვაწახნაგა ბოძი შემკულია ჩუქურთმებით და ჯვრებით. მოჩუქურთმებულია აგრეთვე ლავგარდანიც. ეკლესია შიგნით სადაა, თაღები და გადამხური კამარა ისრული ფორმისაა, რაც გვიანდ. ფეოდ. ხანის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. თამარ მეფის დროს (1202) ს-იდან *შიომღვიმის* მონასტრისათვის გაიყვანეს წყალსადენი, რ-იც იმ დროისათვის რთულ ჰიდროტექ. ნაგებობას წარმოადგენდა.

სხანარი, სოფელი ონის რ-ნში (წედისის სოფსაბჭო), კუდაროს ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1500 *მ*, ონიდან 15 *კმ*. პიპილეთის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. პიპილეთში (15 *კმ*).

სხაჰაჭი, მთა ბზიფის ქედის სამხრ. განშტოებაზე (მდ-ების კელასურისა და ამტყველის წყალგამყოფი). სიმაღლე 2238 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები შემოსილია წიფლისა და მუქწიწვიანი ტყით, უფრო მაღლა სუბალპ. მდელოებია.

სხაჰვა, ჰ ა რ ი რ ა, სატრფიალო ხასიათის ქართული (მეგრული) ხალხ. ცეკვა. სრულდებოდა ქალ-ვაჟთა წყვილის მიერ. მუს. ზომა 4/4.

სხარტალი, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ხოტევის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, შაორის წყალსაცავის ჩრდ. აღმ-ით. ზ.-დ. 1160 *მ*, ამბროლაურიდან 14 *კმ*. ა. ენუქიძის სახ. ხოტევის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მესაქონლეობა). საშ. სკოლა სოფ. ხოტევში (5 *კმ*). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. აქ იყო იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ერთ-ერთი სადგომი.

სხარტული, მოკლედ, მოსწრებულად, სხარტად ნათქვამი ოხუნჯობა ვინმეს დაცინვის, გაკილვის მიზნით. ქართ. ლიტ-რაში ტერმინი „ს.“ ი. ჭავჭავაძემ შემოიღო და დაამკვიდრა. ცნობილია მისივე ს-ები („რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია“, „გ. თუმანიშვილზედ“ და სხვ.).

სხერტა, ს ხ ე რ ტ ი ს ჭ ა ლ ა, ისტორიული პუნქტი აღმ. საქართველოში, ქართლში, მდ. თემძის ხეობაში, სოფ. ნიაბის (კასპის რ-ნი) ბოლოს. აქ 1609 მეფე ლუარსაბ II-მ დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი. ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სარდლებმა გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა.

სხეულებრივი სასჯელი, სასჯელის ღონისძიება—მსჯავრდებულის დასახიჩრება ან მისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენება (ჩვეულებრივ საჯაროდ): წკეპლით, მათრახით ცემა, კიდურების მოკვეთა, ენის ამოგლეჯა, თვალების დათხრა, დადაღვა და სხვ. ს. ს-ს ფართოდ იყენებდნენ მონათმფლობელურ და ფეოდ. სახელმწიფოებში დამნაშავე მონების, გლეხების, ერეტიკოსებისა და სხვ. მიმართ. ზოგ ქვეყანაში ს. ს. XX ს-მდე შემორჩა. დას. ევროპაში იგი კანონმდებლობით XIII ს-იდან განმტკიცდა. განსაკუთრებით სასტიკი ს. ს-ით გამოირჩევა „*კაროლინა*“. ძვ. საქართველოში ს. ს-ს (კერძოდ, *გახეიბრებას*), იშვიათად მიმართავდნენ. *ე. მაყაშვილი.*

სხეული (გეომ.), სივრცის ნებისმიერი არე თავისი საზღვრითურთ. *ევკლიდეს „საწყისებში“* ს. ეწოდება „იმას, რასაც აქვს სიგრძე, სიგანე და სიღრმე“. ელემენტარული გეომ. სახელმძღვანელოებში განსაზღვრავენ როგორც „სივრცის ნაწილს, შემოსაზღვრულს ყველა მხრიდან“.

სხეულის დაზიანება, საბჭ. კანონმდებლობით, დანაშაული, რ-იც გულისხმობს ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების ანატ. მთლიანობის ან ფიზიოლ. ფუნქციის მართლსაწინააღმდეგო და პრალეულ დარღვევას, გამოწვეულს ფიზ. (მექან., თერმული და სხვ.), ქიმ. ან ფსიქ. ზემოქმედებით. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რით არის გამოწვეული ს. დ., მაგ., რაიმე იარაღით, ბუნების ძალის გამოყენებით თუ მათი გამოყენების გარეშე. ს. დ. სისხლის სამართ. პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში არ იწვევს, თუ იგი ჩადენილია *აუცილებელი მოგერიების*, დამნაშავის დაკავების, *უკიდურესი აუცილებლობის* ან სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რ-იც გამორიცხავს ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს.

კანონი განსხვავებულ პასუხისმგებლობას აწესებს სხეულის მ ძ ი მ ე, ნ ა კ ლ ე ბ ად მ ძ ი მ ე და მ ს უ ბ უ ქ ი დაზიანებისათვის. სხეულის მძიმე დაზიანებას მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, აგრეთვე დაზიანება, რ-საც შედეგად მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, სულით ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, დაზიანება, რ-მაც გამოიწვია შრომის უნარის მყარი დაკარგვა სულ ცოტა ერთი მესამედით ანდა სახის წარუშლელი დამახინჯება (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 110). სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებად ითვლება დაზიანება, რ-იც არ არის სახიფათო სიცოცხლისათვის, მაგრამ მან გამოიწვია რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი დარღვევა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ხანგრძლივი მოშლა, რაც დაკავშირებულია შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან ერთ მესამედზე ნაკლებად (მ. 111). სხეულის მსუბუქი დაზიანებაა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა შრომის უნარის დაუკარგავად, აგრეთვე შრომის უნარის აშკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა (მ. 112). მსუბუქ დაზიანებას ეკუთვნის ისეთი დაზიანებაც, როდესაც ჯანმრთელობა დარღვეულია, მაგრამ სამკურნალოდ საჭირო არა უმეტეს 12 დღისა. სხეულის მსუბუქ დაზიანებას მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი დაზიანება, რ-მაც, მართალია, სხეულის ანატ. მთლიანობა დაარღვია, მაგრამ ჯანმრთელობის შერყევა ან შრომის უნარის დაკარგვა არ გამოუწვევია.

თ. მაჟულიძე.

სხეულის მეორეული ღრუ, ც ე ლ ო მ ი (<ბერძ. koilōma — ღრუ), ზოგიერთი ცხოველის სხეულში სივრცე სხეულის კედელსა და შინაგან ორგანოებს შორის. ს. მ. ღ. უვითარდება რგოლოვან ჭიებს, მოლუსკებს, ფეხსახსრიანებს, კანქვეშიანებს, ქორდიანებს, მ. შ. ხერხემლიანებს, აგრეთვე ადამიანს. *სხეულის პირველადი ღრუს* ადგილზე უმაღლეს ხერხემლიანებსა და ადამიანში ს. მ. ღ. წარმოქმნის მუცლის ღრუს (პერიტონეუმის ღრუ), გულისირგვლივ ღრუს (პერიკარდიუმის ღრუ) და ფილტვისირგვლივ ღრუს (პლევრის ღრუ). იხ. *სხეულის ღრუ.* *ლ. ნათაძე.*

სხეულის პირველადი ღრუ, პ რ ო ტ ო ც ე ლ ი (ბერძნ. protos — პირველი და koilōma — ღრუ), ცხოველის სხეულში სივრცე ნაწლავსა და სხეულის კედელს შორის, რ-შიც შინაგანი ორგანოებია განლაგებული. ს. პ. ღ. შეესაბამება ადრეული ჩანასახის (*ბლასტულის*) ღრუს (*ბლასტოცელს*), რ-ის ნაშთი გასტრულაციის შემდეგ ექტოდერმასა და ენტოდერმას შორის რჩება და ს. პ. ღ-დ ვითარდება. ს. პ. ღ. გარედან შემოსაზღვრულია სხეულის კედლით (უმეტესად კან-კუნთოვანი პარკით), შიგნიდან — ნაწლავის კედლით. სრულად განვითარებული ს. პ. ღ. შერჩენილი აქვთ მრგვალ ჭიებს და მათ მსგავს ცხოველებს; უმეტესად კი იგი ამოვსებულია მეზოცელით (ნაწლავღრუიანები), პარენქიმით (ბრტყელი ჭიები) ანდა მის ადგილს *სხეულის მეორეული ღრუ* იკავებს. იხ. *სხეულის ღრუ.*

სხეულის ღრუ, ცხოველებისა და ადამიანის სხეულში სივრცე ნაწლავსა და სხეულის კედელს შორის, რ-შიც შინაგანი ორგანოებია განლაგებული. ცხოველთა ნაწილის ს. ღ. (*სხეულის პირველადი ღრუ*) შეესაბამება ადრეული ჩანასახის (*ბლას-ტულის*) ღრუს (*ბლასტოცელს*), რ-იც რჩება გასტრულაციის შემდეგ ექტოდერმასა და ენტოდერმას შორის; ზოგჯერ კი ამოვსებულია ე. წ. *მეზოგლეით* (*ნაწლავღრუიანები*) ან *პარენქიმით* (ბრტყელი ჭიები), რ-შიც დარჩენილი ნაპრალების ერთობლიობასაც ნაპრალოვანი ს. ღ. ანუ **სქიზოცელი** ეწოდება; ცხოველთა მეორე ნაწილს (*რგოლოვანი ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, კანქვეშიანები, ქორდიანები*, მ. შ. *ხერხემლიანები* და სხვ.) უვითარდება *სხეულის მეორეული ღრუ*, რ-საც საკუთარი მეზოდერმული კედელი (ცელომთელიუმი) აქვს; ზოგჯერ (ზოგი ფეხსახსრიანი, მ. შ. *მწერები*) ცელომის კედლის დაშლის შედეგად პირველადი და მეორეული ღრუს შეერთებით ჩნდება შერეული ხასიათის ს. ღ. (**მიქსოცელი**).

ლ. ნათაძე.

სხეფი, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (შუახევის სადაბო საბჭო), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ*, შუახევიდან 7 *კმ*. შუახევის სერვო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კინოდანადგარი, საფერშლო პუნქტი.

სხვავა, ამბროლაურის რ-ნის სოფლების *ზემო სხვავისა* და *შუა სხვავის* ძვ. სახელწოდება.

სხვავის საყინულე, ბუნებრივი გამოქვაბული სოფ. შუა სხვავის (ამბროლაურის რ-ნი) სამხრ-ით (4 *კმ*-ზე), ზ. დ. 1310 *მ*-ზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. საყინულეში არის საუკუნოვანი ყინულის სეტები, კასკადები და გლეტჩერი. ჰაერის ტემპ-რა მთელი წლის განმავლობაში 0°C-ზე დაბალია.

ზ. ტინტილოზოვი.

სხვილისი, სოფელი ახალციხის რ-ნში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლინის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ს., ზემო სხვილისი, ივლიტა). ზ. დ. 1020 *მ*, ახალციხიდან 5 *კმ*. მებოსტნეობა-მებაღეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა. ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სხვილოსელნი, ქართლის დიდ ფეოდალთა საგვარეულო X ს-ში. სხვილოსის მფლობელები. ქართლის სხვა აზნაურებთან ერთად იბრძოდნენ აფხაზთა (დას. საქართველო) მეფის გაბატონების წინააღმდეგ აღმ. საქართველოში. ამ მიზნით დაჩი და ივანე ს. კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკეს მიემხრნენ აფხაზთა მეფის გიორგი II-ის (922—957) წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი და ქართლ-კახეთის სხვა აზნაურების დახმარებით კვირიკემ კვლავ დაიბრუნა გიორგი II-ის მიერ წართმეული კახეთი. X ს. შემდეგ ს-თა საგვარეულო წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. *ნ. შოშიაშვილი.*

სხვილოს ციხე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე შიდა ქართლში (ახლანდ. კასპის რ-ნის ტერიტორიაზე). მაღალი მთის ქედზე აღმართული ციხე გადაჰყურებს ლეხურის ხეობასა და ტირიფონის გაშლილ ველს. აგებულია XIV ს-ში; ვარაუდობენ, რომ აქ ციხე ადრეე იყო [„მატიანე ქართლისაში“ (XI ს.) იხსენიებიან X ს. მოღვაწენი დაჩი და ივანე სხვილოსელნი]. ხ. ც-ის ისტორია დაკავშირებულია ზევდგენიძეთა (ამილახვარნი) ფეოდ. საგვარეულოს აღზევებასთან; XIV ს-ში მათ ჯერ სხვილოს მამული მიიღეს. აქვე იყო მათი რეზიდენცია. XVI—XVII სს-ში რეზიდენცია ქვემო ჭალაში გადაიტანეს და სხვილოს ციხე-დარბაზმა მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქცია მიიღო. XVII ს. 30-იან წლებში ს. ც-ში გამაგრებულ იოთამ ამილახვარს თავს დაესხა მეფე როსტომი და დაამარცხა. XVIII ს. 40-იან წლებში ს. ც. ირანის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის გამგებლის გივი *ამილახვრის* ერთ-ერთი დასაყრდენი იყო. XVIII ს. ბოლომდე ს. ც. ამილახვართა საგვარეულოს ეკუთვნოდა; შემდგომში მან დაკარგა თავისი ადრინდ. მნიშვნელობა. ციხე წარმოადგენს გეგმით წაგრძელებულ, ოთხკუთხედის ფორმის ნაგებობას, რ-საც ერთადერთი ეიწრო შესასვლელი დას-იდან ჰქონდა. იგი 2 *მ* სიმაღლეზე იყო მოთავსებული და, როგორც ჩანს, ხის კიბით ადიოდნენ იქამდე. ციხის კედლების სიმაღლე 11—14 *მ* აღწევს, სისქე — 2 *მ*, სულ ზემოთ მოწყობილი ყოფილა მებრძოლთა სამოძრაო იარუსი. საბრძოლო ბილიკის გასწვრივ განლაგებულია სათოფურები და სალოდეები. მაღალი კედლები ქონგურებით არის დაგვირგვინებული. ციხის თავსა და ბოლოში თითო კოშკი დგას. ორივე ხუთსართულიანი უნდა ყოფილიყო, მათგან მთავარია ჩრდილოეთის კოშკი; თავდაპირველად ციხის ტერიტორიაზე მცირე ზომის ეკლესია იდგა, შემდეგში, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, სივიწროვის გამო მას თავზე მეორე ეკლესია დააშენეს. ეკლესიის დას-ით ციხის კედელთან დიდი ზომის წყალსაცავია. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობათა ნაშთები.

ლიტ.: Закарая П. П., Древние крепости Грузии, Тб., 1969. *პ. ზაქარაია, ჯ. გვასალია.*

სხვიტორი, სოფელი საჩხერის რ-ნში (საჩხერის საქალაქო საბჭო), ნაურცივის მთის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩიხურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 520 *მ*, საჩხერიდან 3 *კმ*. ა. წერეთლის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვრეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ა. *წერეთლის* სახლ-მუზეუმი, ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა. ს-ში დაიბადა ა. წერეთელი. სოფელში არის გოგირდოვანი წყალი.

სხიდამი (Schiedam), ქალაქი და ნავსადგური ნიდერლანდში, სამხრ. ჰოლანდიის პროვინციაში, მდ. ნიივე-მაასის (რაინის ტოტი) ნაპირზე, ქ. როტერდამის მახლობლად. 75 ათ. მკხ. (1980). გემთმშენებლობა, ელექტროტექ., კვების მრეწველობა.

სხიერი, სოფელი ონის რ-ნში (შეუბნის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1100 *მ*, ონიდან 7 *კმ*. შეუბნის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. პიპილეთში (5 *კმ*). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში ხსუარის სახელწოდებით. სოფელში შემონახულია განვითარებული შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ე. წ. უძრავი წმ. გიორგის ეკლესია. ინტერიერში დაცულია მოხატულობისა და კანკელის ფრაგმენტები. ეკლესიის კედლებზე ბევრი წარწერაა. კანკელის რელიეფური ფილის ფრაგმენტები დაცულია აგრეთვე ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

სხივარები (Raciolaria), უმარტივესთა ქვეკლასი ფესვეფხიანების კლასისა. ზღვის პლანქტონური ორგანიზმების დიდი ჯგუფია, 7 ათ-ზე მეტ სახეობას მოიცავს. მათი სხეულის სიგრძე 40 *მკმ*-იდან 1 *მმ* და მეტს აღწევს, აქვთ შინაგანი ჩონჩხი ტყვიასებრი ცენტრ. კაფსულის სახით, რ-შიც ენდოპლაზმა და ერთი ან მრავალი ბირთვია. ერთეული, იშვიათად კოლონიური ორგანიზმებია. ს. ძაფისებრი, ხშირად დატოტვილი ფსევდოპოდიუმების (ფილოპოდიუმები) მეშვეობით იჭერენ საკვებს, აქვთ აგრეთვე გარეგანი მინერალური ჩონჩხი, რ-იც კაჟმიწისა და გოგირდმჟავა სტრონციუმისაგან შედგება. მრავლდებიან გაყოფით, იშვიათად სქესობრივად (ორშოლტიანი გამეტების კოპულაციის გზით). ს-ის ჩონჩხისაგან შემდგარ ქანებს ლითონისა და მინის ნაგებობათა გასაპრიალებლად იყენებენ.

სხივი, *გეომეტრიული ოპტიკის* (სინათლის ს.) და *გეომეტრიული აკუსტიკის* (ბგერითი ს.) ცნება; აღნიშნავს წირს, რ-ის გასწვრივ ვრცელდება სინათლის ან ბგერის წერტილოვანი წყაროს მიერ განსაზღვრული მიმართულებით გაშვებული ენერგიის ნაკადი. ერთგვაროვან გარემოში ს. წრფეა. მდოვრედ ცვალებადი ოპტ. ან აკუსტიკური თვისებების მქონე გარემოში **სხივი** მრუდდება. ამასთან, მისი სიმრუდე გარემოს გარდატეხის მაჩვენებლის გრადიენტის პროპორციულია. სხვადასხვა გარდატეხის მაჩვენებლის მქონე ორი გარემოს გამყოფ საზღვარზე გადასვლისას ს. გარდატყდება გარდატეხის სნელიუსის კანონის თანახმად. ტერმ. „ს-ს“ იყენებენ აგრეთვე ნაწილაკთა ვიწრო კონის აღსანიშნავად (მაგ., ელექტრონული ს.).




ხვიავარები: 1. Trigonocyclia tiangularis; 2. Lithocubus geometricus; 3. Medusetta craspedota.


„სხივი“, ქართული ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. კავკასიის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციების ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1905—06 ურნ. „სოციალ-დემოკრატის“ შემდეგ. რედ.-გამომცემელი ვ. ახმეტელაშვილი. გაზეთში თანამშრომლობდნენ ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ფ. მახარაძე, ი. რამიშვილი, ნ. კალანდაძე, ი. გომართელი, კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, რ. არსენიძე, ნ. რამიშვილი, ლ. ნათაძე, პ. კალანდაძე, ბ. ლომთათიძე, ა. მამულაშვილი (ლალიონი) და სხვ. აშუქებდა მუშათა გაფიცვებს, პოლიტ. და ეკონ. საკითხებს. თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთის გამოცემა შეწყდა. მის ნაცვლად გამოვიდა გაზ. „*განთიადი*“.

„სხივი“, ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი ს.-დ. მიმართულებისა; გამოდიოდა თბილისში 1909—10. რედ.-გამომცემელი — ე. ტურაბელიძე. გამოიცა 15 ნომერი. აშუქებდა პოლიტ. საკითხებს, დაბეჭდილია ა. ანდრეევისა და ჯ. ჰაინეს ნაწარმოებთა თარგმანები, საიუბილეო წერილი ა. ჩეხოვზე, მაქსიმ გორკის ნაწარმოებზე რეცენზია; პ. კოგანის „ახალი რუსული ლიტერატურის ისტორია“ (სტატიების სერია) და სხვ.

სხივური გათბობა, გათბობის სახეობა, რ-ის დროს სითბო გასათბობ სათავსს გადაეცემა უპირატესად გამოსხივებით და გაცილებით ნაკლები რაოდენობით — კონვექციით. ამ დროს სათავსის კონსტრუქციების შიგა ზედაპირების საშ. ტემპ-რა ჰაერის ტემპ-რაზე 1—2°C-ით მეტია, რაც ადამიანს კომფორტულ პირობებს უქმნის. ს. გ-ისას ჩვეულებრივი სათბობი ხელსაწყოების (რადიატორები, კონვექტორები და სხვ.) ნაცვლად სათავსების გასათბობად გამოიყენება ჭერის ბრტყელი ზედაპირი, რისთვისაც სათავსის ჭერქვეშ ან ჭერის კონსტრუქციაში ამონტაჟებენ ფოლადის მილებისაგან დამზადებულ კლაკნილებს, გაჰყავთ ელექტროკაბელი ან აწყობენ სპაერო არხებს; თბოგადამტანად იყენებენ უმეტესად ცხელ წყალს, ორთქლს, ელექტროენერგიასა და ცხელ ჰაერს; სხივური სითბოს ნაკადი ვრცელდება ძირითადად ქვემოთ. იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანის ორგანიზმის ცალკეული ნაწილების ინტენს. დასხივება (დასაშვებია 1,2÷1,75 *ვტ/მ*^{2}-მდე), სათბობი ჭერის ზედაპირის ტემპ-რა ნორმირებულია (სათავსის სიმაღლეზე დამოკიდებულების მიხედვით უნდა იყოს 28÷42°C). როდესაც სათბობი ელემენტები განლაგებულია უშუალოდ გადახურვის კონსტრუქციაში (ნახ.), მაშინ თბება ზედაპირის იატაკიც. ადამიანისათვის დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად



სხივური გათბობა. სხივური გათბობის ისეთი პანელების მქონე სათავსის გადახურვის ჭრილი, რომლებიც თბება: ა. — ცხელი წყლით ან ორთქლით, ბ — ცხელი ჰაერით, გ—ელექტროენერგიით; 1—სათავსის გადახურვა (რკინაბეტონისა); 2—გადახურვაში ჩამონტაჟებული ფოლადის მილები, რომლებშიც გადის ცხელი წყალი ან ორთქლი; 3 — არხი (დატოვებული გადახურვის ფილის დაყალიბებისას), რომელშიც გადის ცხელი ჰაერი; 4—ვამთბობი ელექტრული კაბელი.



სხივური თბოგადაცემა. გამოსხივების ნაკადების სტატისტიკური გამოსახულება სხივური თბოგადაცემის დროს.

იატაკის ტემპ-რა არ უნდა აღემატებოდეს 26°C-ს. ჭერქვეშ მოწყობილ სათბობ სისტემას ზოგჯერ პანელურ-სხივურს უწოდებენ. სათბობპანელიანი ს. მ-ის სისტემა ზაფხულობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათავსის რადიაციული გაგრილებისათვის (მილებში ცხელი წყლის ნაცვლად ცივ წყალს ატარებენ). მაღალტემპ-რიანი თბოგადამტანის გამოყენებისას მიზანშეწონილია კედლის ვერტ. პანელების გამოყენება (რაც მეტია თბოგადამტანის ტემპ-რა, მით უფრო დაბალი უნდა იყოს სათბობი პანელი). კედლისა და ტიხრების სათბობი პანელები ყველაზე მეტად სსრკ-ში გავრცელდა (იხ. *პანელური გათბობა*). *გ. დარჩია.*

სხივური დაავადება, დაავადება, რ-იც ვითარდება სხვადასხვა სახის მაიონიზებელი გამოსხივების (რენტგენისა და გამა-სხივები, ნეიტრონები, პროტონები, ალფა-ნაწილაკები და სხვა ნაკადი) მოქმედების შედეგად. ადამიანი შეიძლება დაავადდეს ერთჯერადი დიდი და მრავალჯერადი მცირე დოზებით დასხივების შედეგად. ს. დ-ის დროს მეტ-ნაკლებად ზიანდება ყველა ორგანო, განსაკუთრებით კი სისხლმბადი ორგანოები და საჭმლის მომნელებელი სისტემა, აღინიშნება ნივთიერებათა ცვლის და ნერვული რეგულაციის მოშლა, სისხლჩაქცევები ნაწლავის კედლებში და სხვ. ს. დ. შეიძლება გამოიწვიოს გარეგანმა დასხივებამ, როდესაც გამოსხივების წყარო ორგანიზმის გარეთაა, და რადიოაქტიური ნივთიერების ორგანიზმში მოხვედრამ. ს. დ-ის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასხივების ხანგრძლივობას, გამოსხივების ინტენსიურობას და დოზას. ორგანიზმის დასხივებისას ვითარდება ქიმ. ნაერთების (მ. შ. წყლის) იონიზაციის პროცესი, რ-ის დროსაც წარმოიქმნება დამუანგველებისა და აღმდგენლების დიდი რაოდენობა; ორგანიზმის დასხივების შემდეგ იონიზაციის პროცესი წყდება, რის შემდეგაც იწყება ქიმ. სტრუქტურების რეკომბინაცია — საწყისი ქიმ. სტრუქტურის აღდგენა; უჯრედის შიგნით წარმოიქმნება ახ. ქიმ. ნაერთები, რ-თა გავლენით იცვლება ქსოვილების ფუნქცია, შემდგომში კი ვითარდება მორფოლ. ცვლილებებიც. ე. წ. „სხივური“ ტოქსინები პირველ რიგში თრგუნავენ ნერვული უჯრედების ფუნქციას, რაც იწვევს მთელი ორგანიზმის ტროფიკის ანუ კვების მოშლას. მიმდინარეობის მიხედვით განარჩევენ ს. დ-ის მწვავე და ქრონ. ფორმებს. მ წ ვ ა ვ ე ფ ო რ მ ა ვითარდება ორგანიზმზე მაიონიზებელი გამოსხივების ერთჯერადი დიდი დოზების ზემოქმედებისას, ქ რ ო ნ ი კ უ ლ ი — გამოსხივების მცირე დოზების ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ. მწვავე ფორმას ახასიათებს საერთო სისუსტე, თავბრუ, თავის ტკივილი, უმადობა, გულისრევა, პირღებინება, კუჭის აშლილობა, ლეიკოციტებისა და თრომბოციტების შემცირება პერიფერიულ სისხლში და სხვ. სიმძიმის მიხედვით განარჩევენ მწვავე ს. დ-ის 4 ხარისხს: I ხარისხის ს. დ. მსუბუქი ფორმაა და ვითარდება 100—200 რად რენტგენის ან გამა-სხივების ერთჯერადი მოქმედებისას 1 წთ განმავლობაში; II ხარისხის ს. დ. საშ. სიმძიმისაა, ვითარდება 300 რად დოზით დასხივების შედეგად; III ხარისხი ს. დ. მძიმე ფორმაა და ვითარდება 400 რად დოზით დასხივების შემდეგ; 500 რად და მეტი დოზით დასხივება სიკვდილს იწვევს. ოთხივე ხარისხის მწვავე ს. დ-ს აქვს განვითარების საერთო პერიოდები: ფუნქციური ცვლილებების განვითარების, მოჩვენებითი გაუმჯობესების, გამწვავების ანუ მორფოლ. ცვლილებების განვითარებისა და დაავადების გამოსავლის ქრონ. ს. დ-ის დროს სიმპტომები იგივეა, რაც მწვავე ფორმის დროს, მაგრამ უფრო სუსტად არის გამოხატული. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა სიმპტომურია: წოლითი რეჟიმი; სისხლისა და მისი შემცვლელების გადასხმა, ანტიბიოტიკები, ვიტამინების კომპლექსი, საგულე საშუალებანი; კვების რეჟიმის დაცვა; დიდი რაოდენობით სითხე; პირის ღრუს სანაცია; სისხლმბადი ქსოვილის აქტივიზაციისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია.

ლიტ.: Куршаков Н. А., Лучевая болезнь, წგნ.: Многотомное руководство по внутренним болезням, т. 10, М., 1963; Назаришвили Г. П., Вепхвадзе Р. Я., Лучевая болезнь, Тб., 1961.

რ. ვეფხვაძე.

სხივური ელექტრონული მილაკი, *მიმღებ-მაძლიერებელი ელექტრონული მილაკი*, რ-შიც სპეც. კონსტრუქციის ელექტროდების საშუალებებით ელექტრონების ნაკადი ვიწრო კონებად დაფოკუსდება. ს. ე. მ-ია სხივური ტეტროდი, სიხშირის გარდამქმნელი ელექტრონული მილაკი და სხვ.

სხივური თბოგადაცემა, რ ა დ ი ა ც ი ო ნ უ ლ ი თ ბ ო გ ა დ ა ც ე მ ა, *თბოგადაცემის* ერთ-ერთი სახეობა, რ-იც ხორციელდება ნივთიერების შიგა ენერგიის გამოსხივების ენერგიად გარდაქმნის პროცესების, გამოსხივების ენერგიის გადატანისა და ნივთიერებით მისი შთანთქმის შედეგად. ს. თ-ის პროცესების მიმდინარეობა განისაზღვრება სივრცეში იმ სხეულების ურთიერთგანლაგებით, რ-თა შორის მიმდინარეობს თბოგადაცემა, აგრეთვე ამ სხეულების გამყოფი გარემოს თვისებებით. ს. თ-ის არსებითი განსხვავება თბოგადაცემის სხვა სახეობებისაგან (თბოგამტარობისაგან, კონვექციური თბოგადაცემისაგან) იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიძლება მიმდინარეობდეს თბოგადაცემის ზედაპირების გამყოფი მატერ. გარემოს გარეშეც, რადგან იგი ხორციელდება ელექტრომაგნ. გამოსხივების გავრცელების შედეგად.

სხივური ენერგია, რ-იც ს. თ-ის პროცესში ეცემა გაუმჭვირი სხეულის ზედაპირზე და ხასიათდება დაცემული გამოსხივების ნაკადის $Q_{დაც}$ მნიშვნელობით, ნაწილობრივ შთაინთქმება სხეულით, ნაწილობრივ კი ირეკლება მისი ზედაპირიდან (იხ. ნახ.). შთანთქმული გამოსხივების ნაკადი ($Q_{შთ}$) განისაზღვრება თანაფარდობით: $Q_{შთ} = AQ_{დაც}$, სადაც A სხეულის შთანთქმის უნარია. იმის გამო, რომ გაუმჭვირი სხეულისათვის: $Q_{დაც} = Q_{შთ} + Q_{არ}$, სადაც $Q_{არ}$ სხეულის ზედაპირიდან არეკვლილი გამოსხივების ნაკადია: $Q_{არ} = (1 - A)Q_{დაც}$, $1 - A = R$ სხეულის არეკვლის უნარია. თუ სხეულის შთანთქმის უნარი 1-ის ტოლია და, მაშასადამე, მისი არეკვლის უნარი 0-ს უდრის, ე. ი. სხეული შთანთქავს მასზე დაცემულ მთელ ენერგიას, ასეთ სხეულს უწოდებენ *აბსოლუტურად შავ სხეულს*. ნებისმიერი სხეული, რ-ის ტემპ-რა განსხვავებულია აბსოლ. ნულისაგან, გამოასხივებს სხეულის გახურებით განპირობებულ ენერგიას (ე. წ. საკუთარი გამოსხივება, $Q_{საკ}$). ს. თ-ის სისტემაში შემავალი ნებისმიერი სხეულის ზედაპირი გამოასხივებს არეკვლილი გამოსხივების ($Q_{არ}$) და საკუთარი გამოსხივების ($Q_{საკ}$) ნაკადებს. ჯამურ ენერგიას, რ-იც აირეკლება სხეულის ზედაპირიდან, ეფექტური გამოსხივების ნაკადს ($Q_{ეფ}$) უწოდებენ და განსაზღვრავენ თანაფარდობით: $Q_{ეფ} = Q_{არ} + Q_{საკ}$. სიდიდეს $Q_{მაჯ} = Q_{საკ} - Q_{შთ}$ უწოდებენ მაჯამებელი გამოსხივების ნაკადს; იგი გვიჩვენებს, თუ ენერგიის რა რაოდენობას ღებულობს ან კარგავს სხეული დროის ერთეულში ს. თ-ის შედეგად. იმის გამო, რომ $Q_{დაც} = (Q_{საკ} - Q_{მაჯ})/A$ ვღებულობთ ს. თ-ის გაანგარიშებაში ფართოდ გამოყენებულ გამოსახულებას:

$$Q_{ეფ} = Q_{მაჯ}\left(1 - \frac{1}{A}\right) + \frac{Q_{საკ}}{A}.$$

ს. თ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს თბოგადაცემის ისეთ პროცესებში, რ-ებიც მიმდინარეობს დაახლ. 1000°C და მეტი ტემპ-რის დროს. გავრცელებულია მეტალურგიაში, თბოენერგეტიკაში, ატომურ ენერგეტიკაში, სარაკეტო ტექნიკაში. ქიმ. ტექნოლოგიაში, ჰელიოტექნიკაში და ა. შ.

ლიტ.: Блох А. Г., Основы теплообмена излучением, М.—Л., 1962.

სხივური თერაპია, რ ა დ ი ო თ ე რ ა პ ი ა (რადიო ... და *თერაპია*), სხვადასხვა სახის მაიონიზებელი გამოსხივების გამოყენება სამკურნალოდ. ს. თ-ის სახეებია რენტგენოთერაპია, გამა-თერაპია, ბეტა-თერაპია, კორპუსკულარული ანუ მეგავოლტური თერაპია (ელექტრონების, პროტონების, ნეიტრონების, დეიტრონების, პი-მეზონების და ალფა-ნაწილაკების ნაკადი) და სხვ. გამომსხივებელ წყაროსა და კანს შორის მანძილის მიხედვით განარჩევენ ახლოფოკუსიან, დისტანციურ და კონტაქტურ (უშუალო შეხებაში მყოფ) ს. თ-ს. კონტაქტური თერაპიის დროს გამომსხივებელს ადებენ უშუალოდ კანზე, შეჰყავთ სხეულის რომელიმე ღრუში (საშვილოსნოს ყელის არხი, მუცლის ღრუ, შარდის ბუშტი, პლევრის ღრუ, სახის დანამატი ღრუები და სხვ.) ან ათაცებენ უშუალოდ სიმსივნურ ქსოვილში. დასხივების ველში პროექციულად მოხვედრილი სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოების დასხივებისაგან დასაცავად იყენებენ ტყვიის ბლოკებს, სოლებს, ცხავისებურ დიაფრაგმებს. დისტანციური ს. თ. ტარდება სტატიკური (როდესაც გამოსხივების წყარო და ავადმყოფი უძრავ მდგომარეობაშია) და მოძრავი (როდესაც გამოსხივების წყარო ავადმყოფის დასასხივებელი უბნის მიმართ წრიულად, რომელიმე კუთხით ან სხვაგვარად მოძრაობს) წესით. მკურნალობის ეფექტი განისაზღვრება ქსოვილთა მიერ შთანთქმული დოზით, ქსოვილის სტრუქტურული თავისებურებით და, რაც მთავარია, ინდივიდ. რადიომგრძნობელობით. რაც უფრო დიდია სხვაობა პათოლ. და ჯანმრთელი ქსოვილების რადიომგრძნობელობას შორის (რადიოთერაპიული ინტერვალი), მით უფრო ეფექტურია ს. თ.

ს. თ-ს ატარებენ ყოველდღიური დასხივების ფრაქციული (კვირაში 5-ჯერ, დღიური დოზა 200—250 რად ანუ 2, 2,5 გრეი, ვიდრე დასხივების ჯამური დოზა 4—7 ათ. რად ანუ 40—70 გრეის მიაღწევს), საშ. ან მრავალფრაქციული (კვირაში 2-ჯერ; ყოველ სეანსზე დოზას აორმაგებენ) და წყვეტილი (1—3 კვირაში ერთხელ დიდი დოზებით; ჯამური დოზა 40—70 გრეის არ უნდა აღემატებოდეს) მეთოდებით. გინეკოლ. პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი ს. თ-ის შერწყმული მეთოდი — გარეგანი და შინაგანი დასხივების თანამიმდევრული გამოყენება.

ავთვისებიანი სიმსივნეების ს. თ. მიზნად ისახავს სიმსივნური უჯრედის გაყოფის (გამრავლების) უნარის დათრგუნვას, მისი სტრუქტურის დარღვევას და უჯრედის საბოლოო დაღუპვას, მიმდებარე ჯანმრთელი ქსოვილების, რაც შეიძლება ნაკლები რადიაციული გართულებების ფონზე. ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ ს. თ-ც საკმარისია დაავადებისაგან განსაკურნავად; უფრო ხშირად მას იყენებენ ქირურგ. მკურნალობასა და ქიმიოთერაპიასთან ერთად. ს. თ. კარგ შედეგს იძლევა არასიმსივნური დაავადებების (ფურუნკული, კარბუნკული, აბსცესი, ფლეგმონა, ჰიდრადენიტი, მასტიტი, წითელა ქარი, პანარიციუმი, ოსტეომიელიტი, პარაპროქტიტი, აგრეთვე ართრიტი, ნევრალგია, რადიკულიტი, ნეიროდერმიტი, ეგზემა და სხვ.), ოპერაციის შემდგომი ინფილტრატის, ხერხემლის და სხვ. მკურნალობის დროს. არასიმსივნური დაავადებების ს. თ-ს საფუძვლად უდევს მაიონიზებელი გამოსხივების ტკივილგამაყუჩებელი, სადესენსიბილიზაციო, ანთების საწინააღმდეგო და ანტისპაზმური მოქმედება. დღი-

ური დ.ასხივების დოზაა 15—75 რად, სეანსებს შორის ინტერვალი (მწვავე პროცესებისა მკურნალობის დროს) — 3-5 დღე, ქრონ. დაავადების მკურნალობისას— 1—2 დღე; ორივე შემთხვევაში ჯამური დოზა არ უნდა აღემატებოდეს 500 რად.

ს. თ-ს არ მიმართავენ სისხლში ცვლილებების (ლეკოპენია, ლამფოპენია, ანემია და სხვ.), მაღალი ტემპ-რის, გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის ორგანოთა უკმარისობის, თირკმლის, ცენტრ. ნერვული სისტემის დაავადებათა და სხვ. დროს.

ლიტ.: Вепхвадзе Р. Я., Гамматерапия, Тб., 1978; Кишковский А. Н., Дударев А. Л., Лучевая терапия неопухолевых заболеваний, М., 1977; Павлов А. С., Внутритканевая гамма- и бета-терапия злокачественных опухолей, М., 1967. *რ. ვეფხვაძე.*

სხივური სიდამწვრე, დაზიანება, რ-საც იწვევს ცოცხალ ორგანიზმებზე მაიონიზებელი გამოსხივებისა და ზოგიერთი სახის (ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, ხილული) არამაიონიზებელი ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოქმედება. მაიონიზებელი გამოსხივების მოქმედების პირველ შედეგს ზოგჯერ წარმოადგენს კანის ერითემა და ეპილაცია. სითბურ სიდამწვრესა და გადახურებას ძირითადად იწვევს ინფრაწითელი სხივების ზემოქმედება, ხოლო ულტრაიისფერი სხივები ხასიათდება ძირითადად ქიმ. მოქმედებით (კანის გაშავება და სხვ.). ლაზერებიდან გამოსხივებული ძლიერი სინათლის კონები უმთავრესად იწვევს თვალის ბადურასა და კანის სიდამწვრეს. იხ. აგრეთვე *გამოსხივების გენეტიკური მოქმედება.*

ნ. გელაშვილი.

სხივური სიჩქარე, რადიალური სიჩქარე (ასტრონომიაში), სხეულის სიჩქარის მდგენელი მხედველობის სხივის გასწვრივ. ს. ს. დადებითია, თუ სხეული გეშორდება, უარყოფითია მისი მთახლოებისას. ს. ს. იზომება *დოპლერის ეფექტის* საფუძველზე სხეულის მიერ გაშოსხივებული სინათლის სპექტრში არსებული შთანთქმის ან გამოსხივების ხაზების λ ტალღის სიგრძეთა შედარებით ლაბორ. წყაროს შესაბამისი სპექტრული ხაზების λ_0 ტალღის სიგრძეებთან. სათანადო გამოსახულებას აქვს შემდეგი

სახე: $\lambda - \lambda_0 = \lambda_0 \left[\frac{1 + v/c}{\sqrt{1 - v^2/c^2}} - 1 \right]$, სადაც

v აღნიშნავს სხივურ სიჩქარეს, ხოლო c — ვაკუუმში სინათლის გავრცელების სიჩქარეს. როცა v გაცილებით ნაკლებია c-ზე, მაშინ შეიძლება ვისარგებლოთ მიახლოებითი გამოსახულებით: $\lambda - \lambda_0 = \lambda_0 v/c$. ამ ფორმულას იყენებენ ჩვენს გალაქტიკაში ვარსკვლავთა მოძრაობის შესასწავლად. ზუსტი ფორმულით საზღვრავენ, მაგ., ვარსკვლავებიდან გამოტყორცნილი ნივთიერების ს. ს-ს, რ-იც რამდენიმე ათ. *კმ/წმ*-ს აჭარბებს. ზოგიერთ ობსერვატორიაში სისტემატურად საზღვრავენ ვარსკვლავთა ს. ს-ებს. ს. ს-თა ანალიზით შეისწავლება *გალაქტიკების* ბრუნვა, ვარსკვლავთა ატმოსფეროებში დიფერენც. მოძრაობანი, *ორჯერადი ვარსკვლავების* სისტემები, მზისა და პლანეტების ბრუნვა და სხვ.

სხივფარფლიანი თევზები (Actinopterygii), ძვლიანი თევზების ქვეკლასი. აერთიანებს თანამედროვე თევზების თითქმის 95%-ს. მათი სხეული დაფარულია ძვლოვანი ქერცლით, რ-ებიც ერთიმეორეზე კრამიტის სახურავივითაა განლაგებული. მხოლოდ ჯაგუშნოსან ქარიყლაპიას აქვს განიდური ქერცლი. ჩონჩხი ძვლოვანია, ზოგიერთ სახეობას აქვს ქორდა ან მისი ნაშთი. მალები ამფიცელურია. წყვილი ფარფლები სხეულისადმი ვერტიკალურადაა განლაგებული. კუდის ფარფლი ჰომოცერკალურია. განსხვავებულსქესიანები არიან, მხოლოდ ზღვის ქორჭილაა პერმაფროდიტი. ს. თ-ს ახასიათებს გარეგანი განაყოფიერება, გამონაკლისია ზოგიერთი სახეობა, რ-ებიც შინაგანი განაყოფიერებით მრავლდებიან და ცოცხლადმშობები არიან. ვარაუდობენ, რომ ს. თ. 350 მლნ. წლის წინათ წარმოიშვნენ. ამჟამად ცნობილია ს. თ-ის 19 ათ-მდე სახეობა, რ-ებიც ერთიანდებიან 36 რიგში. გავრცელებული არიან ყველა ზღვასა და ოკეანეში, თითქმის ყველა მდინარესა და ტბაში. ს. თ-ის უმრავლესობას სარეწაო მნიშვნელობა აქვს.

ა. ჯანაშვილი.

სხირტლაძე გიორგი სერგოს ძე (დ. 9. IX. 1932, სოფ. მთისკალთა, ონის რ-ნი), ქართველი საბჭ. სპორტსმენი (ჭიდაობა, თავისუფალი სტილი), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1959). სკკპ წევრი 1961-იდან. 1960 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტურის ინ-ტი, 1966—თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. მსოფლიოს ჩემპიონი (1959, თეირანი), მსოფლიო ჩემპიონატის (1957, სტამბოლი), XVII ოლიმპიური თამაშების (1960, რომი) ვერცხლის მედალოსანი, XVI ოლიმპიური თამაშების (1956, მელბურნი) ბრინჯაოს მედალოსანი; სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის (1956) და სსრკ (1954, 1956, 1957, 1960) ჩემპიონი. განსაკუთრებით ძლიერი იყო ჩოქბჯენში ჭიდაობისას. დაჯილდოებულია მედლებით.

სხირტლაძე ივანე ხარებას ძე [22. VI (5. VII). 1894, სოფ. მრავალძალი, ახლანდ. მთისკალთა, ონის რ-ნი, — 11. III. 1948, ქუთაისი], ქართველი საბჭ. ექიმი, ფსიქიატრი. დას. საქართვ. ფსიქ. დახმარების ქსლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1923 დაამთავრა როსტოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი და 1923—24 იქვე მუშაობდა ფსიქ. კლინიკაში ა. იუშჩენკოსთან. ხელმძღვანელობდა ნოეოჩერკასკის (1924—26), სურამისა (1927—28) და ქუთ. (1928-იდან) ფსიქ. საავადმყოფოებს. მისი თაოსნობით ქუთაისში დაარსდა ფსიქონევროლოგიური დისპანსერი (1933) და ფსიქ. კოლონია ბავშვთა განყ-ბით (1935). ს-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქუთ. სამეანო-საფერშლო სკოლისა და ბათ. ფსიქ. დისპანსერის დაარსებაში.

ლიტ.: გიორგაძე გ., კვალი ნათელი, თბ., 1984; ზურაბაშვილი ა., აბესაძე შ., ივანე სხირტლაძე, «საბჭოთა მედიცინა», 1969, №6; მხეიძე გ., ივანე სხირტლაძე, თბ., 1961.

სხირტლაძე ნიკოლოზ ივანეს ძე [დ. 12 (25). VIII. 1911, სოფ. მრავალძალი, ახლანდ. სოფ. მთისკალთა, ონის რ-ნი], ქართველი საბჭ. გეოლოგი, საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1973). სკკპ წევრი 1947-იდან. 1936 დაამთავრა თსუ და იქვე დაიწყო მუშაობა; 1960-იდან მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგეა. 1941—60 და 1978—79 მუშაობდა აგრეთვე საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში (1951—60 იყო ლითოლოგიის განყ-ბის გამგე, 1978—79 — ვულკანოლოგიის განყ-ბისა). ს-ის შრომები ეხება საქართვ. პალეოვულკანოლოგიის, ფუძე გაბროიდების პეტროგრაფიის, ლითოლოგიის, მინერალოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხები, ცეოლითები, საშენი მასალები და სხვ.) გეოლოგიის საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოსი „პეტროგრაფია მინერალოგიის საფუძვლებით" (1970, 1984). დაჯილდოებულია მედლებით.

თხზ.: დასავლეთ საქართველოს ტექნიკური ფორმაცია, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. მინერალოგიურ-პეტროგრაფიული სერია», 1943, ტ. 1; Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии, Тб., 1958.

ვ. ჯავრიშვილი.

სხლითი, სოფელი სამხრ. ოსეთის ა-ო ზნაურის რ-ნში (ძვილეთის სოფსაბჭო), მდ. ღაღურის (დასავლეთის ფრონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 950 *მ*, ზნაურიდან 3,5 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ*. ველების მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა დაბა ზნაურში.

სხლითი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (საღანძილის სოფსაბჭო), მდ. ჯინჯოურის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 600 *მ*, ორჯონიკიძიდან 7 *კმ*. სოფ. ვანის კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხოველეობა, მემინდვრეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი.

სხლოვანი, სოფელი თიანეთის რ-ნში (არტანის სოფსაბჭო), არტანის ხეობაში, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1120 *მ*, თიანეთიდან 10 *კმ*. ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა ახალსოფელში (7 *კმ*).

სხმული, ლითონისაგან ჩამოსხმით მიღებული ნამზადი (ნახევარფაბრიკატი) ან ნაკეთობა (დეტალი). ს-ს ღებულობენ თხევადი ლითონის (შენადნობის) ჩამოსხმით *ბოყვებში*, სპეც. ყალიბებში, აგრეთვე უწყვეტი ჩამოსხმის მეთოდით და სხვ. ს-ის სახით ამზადებენ მეტალ. წარმოებაში ზოდებს (ნახევარფაბრიკატებს, რ-ებსაც შემდგომ ამუშავებენ გლინვით, ჭედვით, შტამპვით და სხვ.), შოთებს (რ-თა ელექტრული, პლაზმური და სხვა მეთოდებით გადადნობით ღებულობენ განსაზღვრული შედგენილობის სუფთა შენადნობებს); მანქანათმშენებლობაში — მოყვანილ ს-ებს, რ-ებიც ზოგჯერ ზუსტი მზა ნაკეთობებია, უმრავლეს შემთხვევაში კი საჭიროა მათი შემდგომი დამუშავება ჭრით. ს-ებია, აგრეთვე რადიატორები საკანალიზაციო და წყალსადენის მილგაყვანილობის დეტალები, ქანდაკებები და სხვ.

ლითონის ს-ს ძირითადად ღებულობენ ლითონის შენადნობებისაგან. მათგან ძირითადია *რკინანახშირბადოვანი შენადნობები*: თუჯი (რუხი, ჭედადი, მაღალმტკიცე) და ფოლადი. ფერადი ლითონებიდან იყენებენ *ბრინჯაოს, თითბერს*, აგრეთვე ალუმინის, მაგნიუმისა და ზოგიერთი სხვა ლითონის ფუძეზე დამზადებულ შენადნობებს.

ლითონის დამუშავების სხვა მეთოდებით მიღებულ ნამზადებთან (ნაჭედი, ნატვიფრი, ნაგლინი და სხვ.) შედარებით ს-ის უპირატესობა ის არის, რომ იგი მოყვანილობითა და ზომით ყველაზე ზუსტია და უფრო ახლოა მზა ნაკეთობასთან. ამიტომ ნაკლებად სჭირდება მას შემდგომი დამუშავება ჭრით, ნაკლებია ლითონის დანაკარგი (ბურბუშელა ნაკლებია) ამასთან რთული მოყვანილობის ს-ის მიღება შეიძლება ისეთი მასალისაგან, რ-ის სხვა მეთოდით (გლინვით, ჭედვით და სხვ.) მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. იხ. აგრეთვე *სამსხმელო წარმოება.*

შ. კაციტაძე.

სხმული ფოლადი, მყარი ფოლადი, რ-საც წარმოების პროცესში თხევად მდგომარეობაში ჩამოასხამენ *ბოყვებში* (ზოდების მისაღებად). ს. ფ. უპირისპირდება ფოლადს, რ-საც ღებულობდნენ ცივნაბერი, გუნდა, პუდლინგის რკინის დანახშირბადიანებით, აგრეთვე თანამედროვე რკინანახშირბადოვან ლითონკერამ. მასალებს, რ-ებსაც ღებულობენ ლითონური ფხვნილების შეცხობით. ს. ფ-ს უძველესი დროიდან ღებულობდნენ ტიგელში გადნობილი ლითონის ჩამოსხმით. ამჟამად ს. ფ-თვის ლითონს ადნობენ სხვადასხვა სადნობ ღუმელში.

XX ს. II ნახევრიდან მსოფლიოში წარმოებული ფოლადის უდიდესი ნაწილი ს. ფ-ია.

სხრეინემაკერსი (Schreinemakers) ფრანცისკუს ანტონიუს ჰუპერტუს (1. IX. 1864, რურმონდი, — 1945), ჰოლანდიელი ფიზიკოს-ქიმიკოსი. 1901-იდან ლეიდენის უნ-ტის პროფესორი. ს-ის ძირითადი შრომები ეხება სამ- და მრავალკომპონენტიან სისტემებში ჰეტეროგენული




გ. სხირტლაძე.



ნ. სხირტლაძე.



გ. სხულუხია.



ტაბაკინი. ძლევის წმ. გიორგის ეკლესია. სამხრეთის ხედი. VI—VII სს.—XVI ს.

წონასწორობის საკითხებს. დაამუშავა მრავალკომპონენტიანი სისტემების წონასწორობის გამოსახვის ხერხები.

სხულუხია გრიგოლ პეტრეს ძე (20. IX. 1909, სოფ. რუხი, ზუგდიდის რ-ნი,— დაიღუპა 1. V. 1942), საბჭ. კავშირის გმირი (29. VI. 1945, სიკვდილის შემდეგ). უმცროსი სერჟანტი. სკკპ წევრი 1931-იდან. სოფ. რუხის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავ-რე (1937—38), კოლმეურნეობის გამგეობის თავ-რე (1939—41). 1941-იდან წითელი არმიის რიგებში იყო. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ყირიმისათვის ერთ-ერთ შეუპოვარ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ხელთ იგდო მოწინააღმდეგემ. მიუხედავად წამებისა, მან სამხ. საიდუმლოება არ გასცა. ს. ფაშისტებმა ცოცხლად დაწვეს კოცონზე. სოფ. რუხში აღმართულია გმირის ძეგლი. მის სახელს ატარებს სოფ. რუხის კოლ-ბა.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

სხულუხია ვინარი გრიგოლის ასული (დ. 29. I. 1942, სოფ. რუხი, ზუგდიდის რ-ნი), სწავლული აგრონომი (1969), სკკპ წევრი 1962-იდან. 1960—69 სოფ. რუხის გ. სხულუხიას სახ. კოლ-ბის მეჩაიე. 1961—65 ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა სოციალ. შრომის გმირობა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

სჯულდება, სჯულისდება, შჯულისდება, კანონმდებლობა, სამართლის წიგნი ძველ საქართველოში. ტერმ. „ს.“ ასახავს საკანონმდებლო პროცესს — გულისხმობს *სჯულის* „დადებას“ ანუ შედგენა-შემოღებას, მის „განწესებას“. სახელმწ. სამართ. კანონმდებლობას (კერძოდ, ვახტანგ VI-ის *დასტურლამალს*) „საჭელმწიფო სჯულდება“ ერქვა. ს. ეწოდება *იოანე ბატონიშვილის* სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტს, აგრეთვე *ალექსი მიხეილის ძის* 1649 კანონთა კრებულის ქართ. თარგმანს. „ს.“ სამონასტრო წესდების მნიშვნელობითაც იხმარებოდა (ასე იხსენიება, სახელდობრ, *პეტრიწონის მონასტრის* 1083 ტიპიკონი).

ი. ფუტკარაძე.

„სჯულდება მეფისა და დიდი მთავრისა ალექსი მიხეილის ძისა“ 1649, რუსეთის სახელმწიფოს კანონთა კრებული. შედგება 25 თავისა და 967 მუხლისაგან. მისი პროექტი შეადგინა კომისიამ ნ. ოდოევსკის ხელმძღვანელობით (1497 და 1550 სამართ. წიგნების, ლიტვ. 1588 სტატუტის, მეფის ბრძანებებისა და ზოგიერთი სხვა აქტის საფუძველზე) და დაამტკიცა საერობო ყრილობამ. „სჯულდებამ“ ასახა ქვეყნის სერიოზული სოც.-ეკონ. ძვრები, დააკმაყოფილა თავადაზნაურობისა და ქალაქის ზედაფენის მოთხოვნები, იურიდიულად გააფორმა გლეხთა დაყმევების პროცესი; მემამულემ მიიღო გლეხის გასამართლების, მისი პიროვნებისა და ქონების განუსაზღვრელი განკარგვის უფლება. „სჯულდება“ აწესრიგებდა სასამართლოს ორგანიზაციასა და სამართალწარმოებას, სისხლის სამართ. საკითხებს. სახელმწ. დანაშაულისათვის დადგენილი იყო სიკვდილით დასჯა. „სჯულდების“ დამახასიათებელი თავისებურებაა სისხლის სამართ. რეპრესიის საერთო გაძლიერება (გამახვილებრებელი სასჯელები — ხელ-ფეხის, ყურების, ენის მოკვეთა და სხვ.). „სჯულდება“ XVII—XVIII სს. რუს. ფეოდ. სამართ. ძირითად კოდექსს წარმოადგენდა.

„სჯულდება“ ქართულად ორჯერ ითარგმნა — 1729 (ვახტანგ VI-ის თაოსნობით) და 1760 (ერეკლე II-ის ბრძანებით). მისი ზოგი დებულება ერთგვარად აისახა კიდეც იმ წლების ქართ. ნორმატიულ აქტებში, უფრო კი XVIII ს. დამლევის სარეფორმო კანონპროექტებში.

სჯული, რჯული, შჯული (სამართ. ისტ.), კანონი, წესი და ჩვეულება, სამართალი ძველ საქართველოში. ტერმ. „ს.“ წარმოდგა „სჯა“ ზმნისაგან (ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „სჯა“ არის „სამართალა“) და თავდაპირველად ნაბჭობს, გადაწყვეტილს ნიშნავდა. განასხვავებდნენ „ბუნებით ს-ს“ (იგი ადამიანთა თანდაყოლილად და მცნებით შთაგონებულად მიიჩნეოდა), „დაწერილ სჯულს“ ანუ კანონმდებლობას („სჯული წიგნისაჲ“), „უწერელ სჯულს“ (ჩვეულებითი სამართალი) და „სამოქალაქოთა სჯულს“. „ს.“ უმეტესწილად საეკლ. კანონწესების მნიშვნელობით იხმარებოდა. ამ დარგის ნორმათა კრებულს სჯულისკანონი, სამართალმცოდნეს კი მერჩულე ეწოდებოდა. იხ. *სჯულდება.*

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1—2 (ნაკვ. 2), ტფ., 1928—29.

ი. ფუტკარაძე.

სჯულისკანონი, კანონიკური კრებული, ბიზანტიურ-ბერძნული წარმოშობის საკანონმდებლო ძეგლი — ნომოკანონის ქართ. რედაქცია, რ-საც დამატებული ჰქონდა ქართ. საეკლესიო სამართ. ნორმებიც.

აღმოსავლეთის ქრისტ. ეკლესიის მესვეურთა მეცადინეობით, უკვე V—VI ს-ში გაჩნდა კანონიკური კრებულები, რ-ებიც იურიდ. ნორმებს შეიცავდნენ, მაგრამ ნომოკანონების ჩამოყალიბების პროცესი VIII ს-მდე გაგრძელდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში განსაკუთრებით დიდი დაფასება ჰქონდა ე. წ. 14-ტიტლოვან ნომოკანონს, რ-იც სისტემურ და ქრონოლოგიურ კრებულს წარმოადგენდა.


X ს. ბოლოს ქართ. ენაზე გამოჩნდა კანონიკური კრებ. „მცირე სჯულისკანონის“ სახელწოდებით, რ-იც *ექვთიმე მთაწმიდელმა* შეადგინა ბერძნ. კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროს რედაქციული გადამუშავებისა და შიგ ქართ. მასალის შეტანის გზით. კრებულის სახელწოდება თვით ექვთიმეს ეკუთვნის. სხვა ანალოგიური ხასიათის კანონიკური კრებ. ქრისტ. კანონიკური სამართ. ისტორიისათვის ცნობილი არ არის. „მცირე სჯულისკანონი“ დიდხანს ითვლებოდა ქართ. ეკლესიის სახელმძღვანელოდ, იგი ხმარებიდან ვერ განუდევნია *არსენ იყალთოელის* მიერ თარგმნილ „დიდ სჯულისკანონსაც“. „მცირე სჯულისკანონი“ 4 ნაწილისაგან შედგება: „წესი და განგებაჲ და რჯულისკანონი მეექუსისა კრებისაჲ“; „კანონნი შეცოდებულთანი“; „კანონნი დღითა-დღეთა ცთომათანი“; „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“. ექვთიმე მთაწმიდელს 692 მსოფლიო საეკლ. კრების კანონების 102 მუხლიდან გამოუტოვებია რამდენიმე მუხლი და მათ ნაცვლად შეუტანია ავტორიტეტულ წმიდა მამათა კანონიკური ხასიათის თხზულებებიდან ამოღებული ადგილები. ამათ ერთვის თვით ექვთიმეს მიერ დაწერილი მუხლები და ქართ. სინამდვილიდან აღებული მასალები, რაც კრებულს უფრო გამოსადეგად ხდიდა ქართ. საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის. კრებ., როგორც დედნიდან გადმოკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქცია, შეიცავს თვით ექვთიმე მთაწმიდლის ორიგინ. შეხედულებებსაც სისხლის სამართ. თეორიის ცალკეულ საკითხებზე, კერძოდ, ბრალზე.

აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი კანონიკური ძეგლი— 14-ტიტლოვანი ნომოკანონი ბერძნულიდან ქართულად არსენ იყალთოელმა თარგმნა XI ს. ბოლოს ან XII ს. დასაწყისში. იგი ქართ. საეკლ. პრაქტიკაში „დიდი სჯულისკანონის“ სახელით იყო ცნობილი. „დიდი სჯულისკანონი“ შეიცავს მოციქულთა, მსოფლიო საეკლ. კრებათა და წმიდა მამათა კანონებს. გარდა ამისა, მას თან ერთვის ქართ. ორიგინ. კანონიკური მწერლობის ძეგლი — *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა.* ქართ. ეკლესიისათვის „დიდი სჯულისკანონი“ ქართ. „ძეგლისწერითურთ“ ერთიან მოქმედ სამართ. წიგნად იყო წარმოდგენილი.

ს-ის გავლენით ქართ. საერო ფეოდ. სამართალმა ბევრი რთული და შინაარსით მდიდარი იურიდ. ცნება შეიმუშავა.

ლიტ.: დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლაქიძის, გ. ნინუას გამოც., თბ., 1975; მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1972.

გ. ნადარეიშვილი.



ტ, ქართული ანბანის მეცხრამეტე (ძვ. ქართ. ოცდა-მეერთე) ასო; მისი სახელია „ტარი“. გრაფიკული სიმბოლო წინაენისმიერი ხშულ-მსკდომი აბრუპტიევისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴒ, ნუსხურში – ⴒ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა სამასს (300).

ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო ტ-ს გრაფიკული მოხაზულობისათვის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართ. დამწერლობის სამივე სახისა — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა). ისინი ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

ასომთავრული		ნუსხური	მხედრული	საუკუნეები
ეპიგრაფიკის	ნიგნის			
Ⴒ Ⴒ				V
Ⴒ Ⴒ	ⴒ ⴒ			VI–VII
Ⴒ Ⴒ	ⴒ ⴒ			VIII
Ⴒ Ⴒ	ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ ⴒ		IX
Ⴒ Ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ ⴒ		X
Ⴒ Ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ	XI
Ⴒ Ⴒ	ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	XII
Ⴒ Ⴒ	ⴒ	ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ	XIII
Ⴒ Ⴒ	ⴒ	ⴒ	ⴒ ⴒ	XIV
Ⴒ Ⴒ	ⴒ	ⴒ	ⴒ	XV
Ⴒ Ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ	XVI
Ⴒ Ⴒ ⴒ	ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ	XVII
Ⴒ	ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	ⴒ ⴒ ⴒ	XVIII

ტაბაკინი, სოფელი ზესტაფონის რ-ნში (კლდეეთის სოფსაბჭო), მდ. აჯამურის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 380 *მ*, ზესტაფონიდან 7 *კმ*. ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა), საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი, ფოსტა.

სოფლის მახლობლად დგას VI—VII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ძლევის წმ. გიორგის მონასტრის ეკლესია, რ-ის ჩრდ. ნავი დარბაზთან დაკავშირებულია მასიურ ოთხკუთხა ბოძზე დაყრდნობილი განიერი ორთაღედით. ნავის აღმ. ნაწილში აფსიდიანი სათავსია, ხოლო სამხრ-ით მდებარე სტოა დამოუკიდებელ სათავსს წარმოადგენს. სტოის სამხრ. ფასადი გაფორმებულია სამი თაღითა და ორი მონუმ. მრგვალი სვეტით, ხოლო დასავლეთის კედელი ფართო თაღითაა გახსნილი. ეკლესიის ქვეშ საძვალეა. ინტერიერი მთლიანად მოხატულია; გამოსახულია ქრისტე, ღვთისმშობლის, წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი ციკლები, ქტიტორთა პორტრეტები და სხვ. ქტიტორული წარწერებიდან ირკვევა, რომ ეკლესია რამდენჯერმეა შეკეთებული. XVI ს. 20-იან წლებში ტ-ის დანგრეული მონასტერი განაახლა და ეკლესია მოახატვინა ქუთათელმა ეპისკოპოსმა გერასიმე ჩხეტიძემ; ეკლესიაში შემონახულია ქტიტორის — იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510—1565) გამოსახულება. ყველა შემდგომი შეკეთება 1529-ის მერეა ჩატარებული. სამრეკლო უფრო გვიანდ. ხანისაა.

ლიტ.: გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., ჩუბინაშვილი ნ., ძლევის წმ. გიორგის მონასტერი სოფ. ტაბაკინში, «ძეგლის მეგობარი», 1969, № 18.

ტაბანათი, სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (სუფსის სოფსაბჭო), გურიის დაბლობზე, მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 5 *მ*, ლანჩხუთიდან 18 *კმ*, სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ*. სუფსის ფ. ძერჟინსკის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა), ჩაის ფ-კა, დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. სუფსაში. საბავშვო ბაგა და ბაღი, აფთიაქი, ფოსტა.

ალ-ტაბარი აბუ ჯაფარ მუჰამად იბნ ჯარირ (838 ან



ვ. ტაბიძე.

839, ამოღი, ტაბარისტანის ოლქი, ახლანდ. ირანი, — 923, ტაბარისტანი), არაბი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, ავტორი შრომისა „დესპანებისა და მეფეების ისტორია“ (ძვ. სახელწ. „წინასწარმეტყველებისა და მეფეების ისტორია“), რ-იც ფაქტების სიმრავლითა და გადმოცემის სიზუსტით ახლო აღმოსავლეთის ძვ. და შუა საუკ., განსაკუთრებით ოშაანთა და აბასიანთა (915-მდე) დროის, არაბთა სახალიფოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ტ. იყენებს როგორც ზეპირ ტრადიციას, ისე ჩვენამდე მოულწეველ ადრინდ. არაბი ავტორების თხზულებებს. იგი ავტორია აგრეთვე *ყურანის* მრავალტომიანი კომენტარებისა. ისტორიისა და თეოლოგიის გარდა, ტ. სწავლობდა არაბ. პოეზიას, ლექსიკოგრაფიას, გრამატიკას, მათემატიკას, მედიცინას. აქვს ცნობები თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ბულა თურქის ლაშქრობის დროს (853).

თხზ.: Тарих ар-русул ва-ль-мулук, т. 1—3, Каир, 1960—62 (рец. П. А. Грязневича, «Народы Азии и Африки», 1964, № 3); [ნაწყვეტები]: წგნ.: Хрестоматия по истории халифата, сост. и пер. Л. И. Надирадзе, М., 1968.

ლ. ნადირაძე.

ტაბარი ეჰსან (დ. 1917, ქ. სარი), ირანელი მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. ირანის სახ. პარტიის „თუდეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, მისივე ორგანოს — გაზ. „მარდომის“ („ხალხი“) რედაქტორი. რევ. საქმიანობისათვის 1949 დაუსჯრებლად მიუსაჯეს სიკვდილი. იყო ემიგრაციაში. მისი შემოქმედება სოც.-პოლიტ. ხასიათისაა (მოთხრობები: „ჯოჯოხეთში“, „ნატვრის ხე“, „ბარომეტრი“, „სტერლინგების მეფე“, „ახლოვდება ქარიშხალი“). წერდა ლექსებსაც. აქვს აგრეთვე ლიტ.-კრიტ., სოც. და ფილოს. გამოკვლევები („წერილები და შენიშვნები ფილოსოფიასა და სოციოლოგიაზე“, 1968). დიდი ღვაწლი მიუძღვის ირან. მოწინავე საზ. აზრის განვითარებაში.

თ. კემულარია.

ტაბარუჯი, უმიწო გლეხი, რ-საც არ გააჩნდა წარმოების საშუალებები. ქართულ წყაროებში XVIII ს-იდან გვხვდება აქაიქ. XIX ს-ში მათი რიცხვი მრავლდება. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ტ. ახალმოსული გლეხია. ტ-ები ძირითადად თავიანთი მიწებიდან აყრილ-გაქცეული გლეხები იყვნენ, რ-ებიც საარსებო მინიმუმის ძიებაში ხშირად ინაცვლებდნენ ადგილსამყოფელს. ქირით მუშაობდნენ მემამულეთა და მდიდარ გლეხთა მეურნეობაში. ტ. კლასობრივი ბრძოლის შედეგად გაჩენილი წარმონაქმნია. XIX ს-ში ტ-ების ნაწილი იწყებს მოხეტიალე ვაჭრობა-ხელოსნობას, ნაწილი მემკვიდრე გლეხის კატეგორიაში გადადის.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII—XVIII სს.), თბ., 1979.

დ. მეგრელაძე.

ტაბარუკი, სოფელი მცხეთის რ-ნში (ლისის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დიღმისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ზემოთში. ზ. დ. 960 *მ*, მცხეთიდან 48 *კმ*. დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ქვემო ლისში (15 *კმ*).

ტაბატაძე კონდრატე ტეიბუხის ძე [15 (27). VIII. 1896, სოფ. მარელისი, ახლანდ. ორჯონიკიძის რ-ნი, — 17. X. 1968, თბილისი], ქართველი საბჭ. ინჟინერ-გეოდეზისტი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1962). 1931 დაამთავრა მოსკ. მიწათმოწყობის ინ-ტი. 1946-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. ტ-ის შრომები ეხება უმაღლესი გეოდ. საკითხებს. ავტორია უმაღლესი გეოდ. პირველი ქართ. სახელმძღვანელოსი (ტ. 1—2, თბ., 1954—59). ტ. იყო თბილ. მეტროპოლიტენის გეოდ. საფუძვლის შექმნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აგრეთვე საქართვ. ქ-ებისა და გვირაბების მშენებლობის გეოდ. საფუძვლების ავტორი. დაჯილდოებულია მედლებით.

მ. თევზაძე.

ტაბალუა ილია მაქსიმეს ძე (დ. 12. IV. 1919, სოფ. კახათი, ზუგდიდის რ-ნი), ქართველი საბჭ. ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1980), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1945), უმაღლესი დიპლ. სკოლა მოსკოვში (1947). სსრკ დიდი სამამულო ომის (1941—45) მონაწილე.

1962-იდან ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, 1969-იდან ამავე ინ-ტის ევროპის ქვეყნების ისტ. განყ-ბის გამგე. იკვლევს ევრ. ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიისა და ევრ. ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებს. დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის ორდენებითა და მედლებით.

თხზ.: მასალები XVIII ს. I მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982; რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ, თბ., 1960; საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707—1714), ნაწ. 1, თბ., 1975; საფრანგეთის პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა საბჭოთა რუსეთისადმი (1917—1924), თბ., 1961; საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან), თბ., 1979; საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1972.

ტაბაწყური, ტ ა ბ ი ს წ ყ უ რ ი, ტბა ჯავახეთში, ბორჯომისა და ახალქალაქის რ-ნების საზღვარზე, ზ. დ. 1991 *მ*. სარკის ფართ. 14,2 *კმ*^{2}, წყალშემკრები აუზის ფართ. 83,1 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე 40,2 *მ*, საშ. სიღრმე 15,5 *მ*, წყლის მოცულობა 221 მლნ. *მ*^{3}. ტბის ქვაბული წარმოქმნილია ლავური ნაკადების შეგუბების შედეგად. საზრდოობს მიწისქვეშა, თოვლისა და წვიმის წყლით. გამდინარეა მიწისქვეშა გზით. წყლის დონე დაბალია თებ-ში, მაღალია — ივნ-ში. გაყინულია დეკ. ბოლოდან მარტის ბოლომდე. წყალი მტკნარია, მდიდარია თევზით.

ი. აფხაზავა.

ტაბაწყური, სოფელი ბორჯომის რ-ნში, ჯავახეთის ზეგანზე, ტაბაწყურის ტბის ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., მოლითი). ზ. დ. 2000 *მ*, ბორჯომიდან 60 *კმ*, ბაკურიანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 29 *კმ*. საქ. კომპარტიის X ყრილობის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა), თევზჭერის მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი— განვითარებული შუა საუკ. ეკლესია „წითელი საყდარი“.

ტაბახმელა, სოფელი გარდაბნის რ-ნში, თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოებაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., შინდისი, წავკისი). ზ. დ. 1020 *მ*, გარდაბნიდან 51 *კმ*, თბილისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. საქართვ. ბიოკომბინატის დამხმარე მეურნეობა, ბიოკომბინატი (ამზადებს ბიოპრეპარატებს). საშ. სკოლა, საღამოს (ცვლაიანი) სკოლა, სამუსიკო სკოლა, საბავშვო ბაღი, 3 ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელში დგას წმ. გიორგის ეკლესია (კვირაცხოველი).

ტაბახმელა, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (დოკნისის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, ხულოდან 10 *კმ*. პარიზის კომუნის სახ. დიოკნისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა), ხეტყის სახერხი ქ-ნა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. დიოკნისში (2 *კმ*).

ტაბელი (ჰოლანდ. tabel <ლათ. tabula — დაფა, ცხრილი), 1. განსაზღვრული წესით შედგენილი რისამე სია, ცხრილი. 2. დაფა, რ-ზედაც ჩამოკიდებულია ჟეტონები მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის აღსარიცხავად; თვით ასეთი ჟეტონი.

ტაბესი, იხ. *ზურგის ტვინის ტაბესი.*

ტაბიძე გალაკტიონ ვასილის ძე [5 (17). XI. 1891 ან 6 (18). XI. 1892, სოფ. ჭყვიში, ახლანდ. ვანის რ-ნი, — 17. III. 1959, თბილისი], ქართველი საბჭ. პოეტი, საქართვ. სახ. პოეტი (1933), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). დაიბადა კულტ. ტრადიციების მქონე სოფლის მასწავლებლის ოჯახში. 1900-იდან ქუთ. სას. სასწავლებელში, 1908-იდან თბილ. სას. სემინარიაში სწავლობდა. 1910—11 მასწავლებელი იყო. 1912 ქუთაისში დასახლდა. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ქუთ. და თბილ. *ჟურნალ-გაზეთებში*. 1917—18 მოსკოვსა და პეტროგრადში იმყოფებოდა. 1918-იდან თბილისში დამკვიდრდა. 1922—23 გამოსცა „*გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი*“. ტ. *ჟურნ.* „მნათობის“ (1924) ერთ-ერთი დამაარსებელია. 1928 კომინტერნის VI კონგრესის დელეგატებთან ერთად იმოგზაურა სსრკში. 1935 მონაწილეობდა პარიზის ანტიფაშისტურ კონგრესში.

ტ-ის შემოქმედების დასაწყისი XX ს. 10-იან წლებზე მოდის (პირველი ლექსები 1908 გამოაქვეყნა *ჟურნ.* „ჩვენს კვალსა“ და გაზ. „ამირანში“). ეს იყო პერიოდი, როცა ლირიკაში კვლავ განუყოფლად ბატონობდა ა. *წერეთლის* ავტორიტეტი, ხოლო მისმა მომრავლებულმა ეპიგონებმა ჩიხში მოაქციეს ქართ. ლექსის განვითარება. ქართ. პოეტიკა დიდ განახლებას ითხოვდა. უხვად მომადლებული პოეტური ნიჭის წყალობით ამ მისიის შესრულება შეძლო ტ-მ; მან თვისებრივად ახ. ხარისხში აიყვანა ა. წერეთლის პოეტური ვირტუოზობა და ქართ. ლექსს უაღრესად თანამედროვე ჟღერადობა შესძინა.

1914 გამოქვეყნებულმა კრებულმა „*ლექსები*“ და განსაკუთრებით 1919 გამოცემულმა „არტისტულმა ყვავილებმა“ ტ-ს მოუტანეს საყოველთაო აღიარება, „გენიალური გალაკტიონისა“ და „პოეტების მეფის“ სახელი, „მე და ღამემ“, „მთაწმინდის მთვარემ“; „ლურჯა ცხენებმა“, „სილაჟვარდემ...“, „მერიმ“ მკითხველს წარმოუდგინა სრულიად ახლებური პოეტური სამყარო, ქართ. ბგერის დიდებული კეთილხმოვანება, სიტყვის მოქნილობა და საოცარი უნარი რიტმის, ფერის, ტონისა თუ ნახევარტონების გადმოცემისა. ეს იყო რომანტ. სამყარო, სადაც პოეტმა მინიშნებების, ნიუანსებისა და ასოციაციების საშუალებით იშვიათი უშუალობითა და სილამაზით აამეტყველა თავისი დროის ადამიანის ყველაზე ფაქიზი განცდები. ამ მხრივ ტ-ის პოეზია ორგანულად ეფუძნებოდა და აგრძელებდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ტრადიციებს, რ-ის გავლენით ტ-ის ადრინდ. პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა სიმარტოვის, სულით ობლობის, ტანჯვის მოტივები. მათ მომძლავრებას ხელი შეუწყო უცხოელ რომანტიკოსთა და ფრანგ და რუს სიმბოლისტთა გავლენამაც. მაგრამ არა მხოლოდ წინაპართა გავლენით, არამედ ინტენს. სულიერი ძიებების საფუძველზეც ტ-ს გამოეკვეთა რწმენა, რომ ტანჯვა-წამების გრძნობა თვითმკმარი რამ, ბედნიერებისა და სულიერი ზეობის მიღწევის გზაც არის. სულ მალე კი ამ რწმენის კრახს მოჰყვა სასტიკი დეპრესიაც და სინამდვილესთან დაბრუნების წინასწარვე განწირული ცდაც. ყოველივე ამან დასაბამი მისცა პროტესტის გრძნობას, ზეცის წინააღმდეგ ამბჯდრებას: რა აზრი აქვს კაცის ცხოვრებას? ტ-თვის არსებობის უაზრობასა და ქაოსში არის ერთადერთი სფერო — პოეზია, რ-იც არ ემორჩილება სიზმარეული სამყაროს მსწრაფლ-

წარმავლობას და მშვენიერი, სიკეთით სავსე და მარადიულია („ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „ვილანელი“ და სხვ.). ამის პარალელურად ტ-ის პოეზიაში ვლინდება და შემდგომ სულ უფრო ძლიერდება საპირისპირო ძიების შედეგებიც: სიკეთის, მშვენიერების, ჰარმონიის მიკვლევა არა მხოლოდ შემოქმედების, არამედ სინამდვილის, რეალობის სფეროშიც. აქ იღებს სათავეს ბავშვობის მოგონებები, სოფლისკენ სწრაფვა, ბუნებასთან დაბრუნების მოთხოვნილება, სამშობლოს მშვენიერებისა და, ამავე დროს, უბედური ყოფის ახლებური განცდა („იმ ატმებს გაუმარჯოს“, „შინდისის ჭადრებს“, „გაგონდება თუ არა“, „ომნიბუსით“, „ყანები“, „მშობლიური ეფემერა“ და სხვ.). სევდისა და უიმედობის მოტივებს ტ-ის შემოქმედებაში ასაზრდოებდა მძიმე საზ. ვითარება — 1905—07 რევ. დამარცხების შემდგომი გულგატეხილობის პერიოდი. ეს იყო საფუძველი ტ-ის პოეზიაში 10-იანი წწ. ბოლოს მომძლავრებული ურბანისტული მოტიეებისა, რასაც ორგანულად უკავშირდებოდა სოც. ქაოსისა და მსოფლიო ომის თემები („ტფილისი“, „თეთრი პელიკანი“, „ქრონიკა ერთი დღის“, „კაფეში“, „1914“, „იგი ომია“ და სხვ.). იგივე საფუძველი ედო მომავალ ბრძოლათა მოლოდინის განწყობილებებს („გადანახული დროები“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „ნასაკირალთან“). ტ-ის შემოქმედების ეს მოტივი უცბად გახდა დომინანტური 1917-იდან; მის პოეზიაში დამკვიდრდა რევ. რომანტიკა („დროები ჩქარა“, „რა საჭიროა სიტყვები, მჯერა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „წერილი მეგობრებისადმი“, „კოსმიური ორკესტრი“ და სხვ.). რევოლუცია და შემდგომ სოციალ. მშენებლობის დაწყება მისთვის მოასწავებდა დამყარებული ცხოვრების, საძულველი ყოფის ნგრევას, სამშობლოს ეროვნ. აღორძინებას. ტ. მთელი არსებით დაეწაფა ახ. ცხოვრებას, მის მიერ დანერგილ აჩქარებულ რიტმებს. 20-იანი წწ. მიწურულსა და 30-იანი წწ. დამდეგის მისი ლექსები ყოველდღიურობით სუნთქავს, ბევრი მათგანი პლაკატურობის ნიშნითაც არის აღბეჭდილი და მაინც მისი ლირიკა გაბრწყინდა ახ. წახნაგით; ნაზი, დახვეწილი მელოდიურობა შეცვალა მძაფრმა და მრავალფერმა რიტმებმა, მაჟორულმა ინტონაციებმა; ურთულეს და უფაქიზეს სულიერ მოძრაობათა ასახვა — აბობოქრებული სინამდვილისადმი გამძაფრებულმა ყურადღებამ და იქიდან აღებულმა თემებმა („ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „რევოლუციურ საქართველოს“, „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“ და სხვ.). მის ზოგიერთ ქმნილებაში კი საოცარი სინთეზით წარმოდგა ჩვეული ლირ. სინატიფეც და რევ.-სოც. გარდაქმნების შესატყვისი მგზნებარებაც („პროლოგი 100 ლექსისა“, „ერთხელ საღამოთი“, „არსებეს ახალი სოცოცხლის აკვანს“ და სხვ.). ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსთა წიგნი „ეპოქა“ (1928), რ-შიც რევ. შუაგულში მდგარი გმირის განცდებია გადმოცემული.

იმხანად ტ. ეერც იცლიდა რევ. მონაპოვართა სიღრმისეული გააზრებისათვის. ეს უფრო 30-იანი წწ. ბოლოს დაიწყო, როცა მას ჩამოუყალიბდა მსოფლმხედველობრივი კრედო: საბოლოო სულიერი ზეობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, ჭეშმარიტი ჰარმონია მაშინ მკვიდრდება, როცა საკუთარი ინტერესები დავიწყებულია და შემოქმედს უნარი შესწევს სხვებისათვის ისე მიიტანოს თავი სამსხვერპლოზე, სანაცვლო საზღაურს არც ელოდეს. ამან საბოლოოდ განდევნა მისი შემოქმედებიდან მარტოსულობა, დაბზარული ინდივიდუალიზმი და 40-იანი წლებიდან იგი არაერთ შედევრს დაუდო საფუძვლად („ვარდები“, „უკანასკნელი ლხინი“, „მესხის გამხედვა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ზღვა ახმაურდა!“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, პოემების — „აკაკი წერეთელი“, „საუბარი ლირიკის შესახებ“ და სხვ. — ცალკეული ადგილები). იგივე მრწამსი ასულდგმულებს ტ-ის სამამულო ომისდროინდელ უბადლო პატრ. ლირიკასაც („მამული, სიცოცხლეო!..“, „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“, „ღრუბლები ძაუგთან“) და შემოქმედების ბოლო წლების მთელ პოეტიკასაც. მისმა ლექსმა საბოლოოდ დაიმორჩილა ხალხურობის სისადავესთან შერწყმული კლასიკური ფორმები, პოეტურმა სიტყვამ — გამოსათქმელი აზრის მთელი სიღრმე და სიმდიდრე, ხოლო ბგერამ—სრულიად ახლებური, უაღრესად დახვეწილი მელოდიურობა. მაგრამ მთლიანი აღქმის გარეშე ტ-ის ლექსის სიდიადის შეცნობა საერთოდ შეუძლებელია. აქ იღებს დასაბამს ტ-ის გამომსახველობითი საშუალებები, სახეთა სისტემა, უჩვეულო, აუხსნელი მუსიკალურობა, მეტრულ-რიტმული სტრუქტურის ნაირგვარობა, რითმის ბუნება, ლექსიკა, ფრაზის წყობა. მისი სახეები იმ პრინციპით კი არ აიგება, რომ საგანი საგანს, მოვლენა მოვლენას შეუდარდეს და მხატვრული ეფექტი აღძრას, არამედ იმით, რომ საგანთა, მოვლენათა, მიმართებათა თვით არსება გამოიხატოს და ყოველდღიური მზერისათვის უცხო კუთხით აღიქვას სამყარო. მისი ლექსების მუსიკა ორგანულად ერწყმის სიტყვათა, სიტყვათშესამებათა ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მნიშვნელობას და ჩვეულებრივისაგან სრულიად განსხვავებულ აზრის მატარებლად აქცევს მათ.

ტ-ის შემოქმედება უკვე რამდენიმე ათეული წელია გადაულახავ მწვერვალად დგას თანამედროვე ქართ. პოეზიაში. ამ ხნის მანძილზე არ მოსულა არც ერთი პოეტური თაობა, რ-საც მისი გავლენა არ განეცადოს და თითებზე თუ ჩამოითვლებიან ის პოეტები, რ-თაც შეძლეს ამ გავლენის დაძლევა და მისი წრის მიღმა გასვლა. თანამედროვე ქართ. პოეზიაში ტ-ის ავტორიტეტი კელავ განუყოფლად ბატონობს და დღესაც გადაუჭრელ ამოცანად რჩება ქართ. ლექსის თვისებრივად ახ., მის ლექსთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა.

ტ-ის ლექსები თარგმნილია სსრკ და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1—8, თბ., 1937—57; თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1966—75; ლექსები, თბ., 1927; რჩეული, თბ., 1977; რჩეული ლირიკა ორ წიგნად, თბ., 1971.

ლიტ.: ასათიანი გ., თანამდევი სულები, თბ., 1983; ბენაშვილი დ., გალაკტიონ ტაბიძე. კოლაუ ნადირაძე, თბ., 1972; თვარაძე რ., წერილები. ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა, თბ., 1979; კვესელავა მ., პოეტური ინტეგრალები. გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია, თბ., 1977; ლორთქიფანიძე ი., გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 1968; მისივე, გალაკტიონ ტაბიძე (ბიბლიოგრაფია), ნაწ. 1—2, თბ., 1973—75; ტაბიძე ნ., გალაკტიონი, თბ., 1982; ჩხენკელი თ., წერილები. თბ., 1972; ჭილაია ს., გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბ., 1951; ჯიბლაძე გ., გალაკტიონ ტაბიძე, მის წგნ.: კრიტიკული ეტიუდები, [ტ.] 3, თბ., 1959.

რ. თვარაძე.

ტაბიძე დიმიტრი ივანეს ძე (15. IV. 1901, სოფ. ხონი, ახლანდ. წულუკიძის რ-ნი, — 19. XI. 1965, თბილისი), ქართველი საბჭ. აგრონომ-მეენახე. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი (1957), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1925 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. 1935—44 ჯერ ამიერკავკ., ხოლო შემდეგ საქართვ. მევენახეობისა და მეღვინეობის ინ-ტების სელექციის განყ-ბის გამგე იყო, 1944—46 — ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში, ხოლო 1946—56 — სელექციისა და ამპელოგრაფიის განყ-ბის გამგე; 1956-იდან გარდაცვალებამდე — საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინ-ტის ვაზის სელექცია-ჯიშთმცოდნეობის განყ-ბის გამგე. იკვლევდა ვაზის ჯიშების სელექციური მეთოდებით გაუმჯობესების საკითხებს. გამოიყვანა ჰიბრიდული ვაზის ჯიშები. დაასაბუთა საქართვ. ვაზის გავრცელება ვერტ. ზონალობის მიხედვით. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ნ. ცერცვაძე.



ტ. ტაბიძე.


ტაბიძე ტიციან იუსტინეს ძე [21. III (2. IV). 1895, სოფ. ჭყვიში, ახლანდ ვანის რ-ნი, — 1937], ქართველი საბჭ პოეტი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. 1905-იდან ქუთ. კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. მისი ადრინდ. ნოველები, მინიატიურები და ლექსები 1911-იდან იბეჭდებოდა „კოლხიდაში“, „სახალხო გაზეთში“, „თემში“, „ერში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, 1913-იდან სწავლობდა მოსკ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტზე. თარგმნა ფრანგ და რუს სიმბოლისტთა ლექსები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ *ცისფერყანწელების* ჯგუფის ერთ-ერთი მოთავე გახდა. 1920-იდან რედაქტორობდა „რუბიკონსა“ და „ბარრიკადს“. 1915—16 საბოლოოდ დადგინდა ტ-ის მოდერნისტული ხელწერა. შეგნებულ „მხატვრულ კოსმოპოლიტიზმს“, ოცნებას „უსაზღვრო გზებსა“ და „მოგვ წინაპრებზე“ (ლექსები „ქალდეას სიზმრები“, „პრინცი მაგოგი“, ორივე 1915; „ავტოპორტრეტი“, „უბებჯარონი“, „ქალდეას მზე“, „მაგი წინაპარი“, ყველა 1916) იმთავითვე შეენაცვლა ძიებანი ქართ. პოეზიის განახლებისათვის, რის უპირველეს პირობადაც ტ-ს აღმოსავლური და დასავლური პოეზიის სინთეზი ესახებოდა: „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“ („წიგნიდან — „ქალდეას ქალაქები“, 1916). თვითმკვლელობის, განწირულების მოტივი, სიმახინჯის კულტი ქართ. პოეზიისათვის უჩვეულო სახე-სიმბოლოებითა და ლექსიკით ტვირთავდა მის ლექსებს („ორპირის სეზონი“, „ბირნამის ტყე“, „მღვდელი და მალარია“, სამივე 1919; „მღვდელი და მალარია კუბოში“, 1920; „ნინა მაყაშვილს“, 1921), რ-ებშიც თავი იჩინა სამშობლოს ბედით გამოწვეულმა ტკივილმაც.

ტ-ის პოეზიაში დეკადენტური განწყობილებანი საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ერთბაშად არ აღმოფხვრილა („სეზონის ფალავანი“, 1922; „ორპირის ოქროპირი“, I, II, 1922, 1923; „ტანიტ ტაბიძე“, 1926). მისი შემოქმედებითი ევოლუცია გამოიხატა, ერთი მხრივ, პოეტური გამოსახვის საშუალებათა მეტი სისადავით, მეორე მხრივ, ცხოვრებასთან მიახლოებით („თბილისის ღამე“, 1927; „ნუ გაიკვირვებ“, 1928). ამ დროისათვის საბოლოოდ გამოიკვეთა მისი იდეალი — სტიქიასავით მოვარდნილი პოეტური ზეშთაგონება („ლექსი მეწყერი“, 1927; „ლექსი წელკავი“, 1933; „ლექსის დაბადება“, 1936), რ-ის მხატვრული განსხეულებაა სამშობლოს, სიცოცხლის, სიყვარულის სადიდებელი ლირ. შედევრები („ჩააქრეთ სულში სიონის ზარი...“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „თამუნია წერეთელს“, სამივე 1926; „ანანურთან“, 1927; „მაშ გამარჯვება...“, 1928; „რომ იყოს თერგი ორი ამდენი“, „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“, ორივე 1932).

პოეტის შემოქმედებაში გამოიხატა ახ. სინამდვილე, სოციალ. მშენებლობა (პოემები „თვრამეტი წელი“, „რიონი-პორტი“, „გულდაგული“, 1928). თანადროულ თემატიკას, ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალიზმის მოტიეებს ეხმაურებოდა ბევრი ლექსი და მხატვრული ნარკვევი



ვ. ტაბლიაშვილი.



ტაბულატორი. ანბანურ-ციფრული ტაბულატორი ტაბ0—1 (სსრკ).

(„სერგეი ესენინს“, 1926; ლექსთა ციკლი „სომხეთში“, 1932; „ბაღდადის ზეცა“, „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო“, „ორიოე 1936; ნარკვევები „ახალი მცხეთა“, 1927; „ტოლსტოის დღეები“, 1928; „ახალგ კოლხიდა“, 1931 და სხვ.). პოეტის ფართო თვალსაწიერს ცხადყოფდა მისი წერილები ლიტ-რისა და ხელოვნების მოღვაწეებზე. ტ-მ თარგმნა ა. პუშკინის, ი. ბუნინის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ისააკიანის, ლ. არაგონის და სხვ. თხზულებანი. 1935 მოსკოვში გამოიცა მისი პოეტური კრებ. რუს. ენაზე. ტ-ის ლექსები თარგმნილია სსრკ ხალხთა, ფრანგ., ინგლ., პოლ., იტალ. და სხვ. ენებზე.

თხზ.: თხზულებანი სამ ტომად, თბ., [1966]; ლექსები. პოემები. თარგმანი, თბ., 1955; რჩეული, თბ., 1960; რჩეული ლექსები, თბ., 1934.

ლიტ.: აბულაძე მ., ტიციან ტაბიძის პოეზია, თბ., 1961; ხერხეულიძე გ., თანამედროვე ქართული პოეზია, თბ., 1977; Цурикова Г., Тициан Табидзе, Л., 1971. *ლ. ავალიანი.*

ტაბლეტი (ფრანგ. tablette), სამკურნალო ნივთიერების მკვრივი დოზირებული ფორმა. ამზადებენ საფბრიკო-საქარხნო წესით სამკურნ. და დამხმარე (შაქარი, სახამებელი, ნატრიუმქლორიდი, ტალკი, სპირტი და სხვ.) ნივთიერებების დაპრესვით. ზოგიერთი სახის ტ. დაფარულია გარსით.

ტაბლიაშვილი ვახტანგ ვალერიანის ძე (დ. 16. V. 1914, ყვარელი), ქართველი საბჭ. რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1969). სკკპ წევრი 1945-იდან. დაამთავრა მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტი (1939). 1939—66 იყო მარჯანიშვილის სახ. თეატრის რეჟისორი და მთავარი რეჟისორი. დადგა ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ (მისივე ინსცენირება), ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები“, ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ა. ყაზბეგის „მოძღვარი“ (მისივე ინსცენირება), ვ. კახელაკის „მაია წყნეთელი“ და სხვ. 1956—65 ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრ. მთავარი რეჟისორი. დადგა ზ. ფალიაშვილის „დაისი“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვერდის „ტრუბადური“ და სხვ. ტ-ის სპექტაკლები გამოირჩევა მასშტაბურობით. 1967-იდან მოღვაწეობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, გადაღებული აქვს ფილმები: „ქეთო და კოტე“ (რეჟ. შ. გედევანიშვილთან ერთად, 1948), „დიდოსტატის მარჯვენა“ (2 სერიად, რეჟ. დ. აბაშიძესთან ერთად, 1970—71), „ლევან ხიდაშელი“ (1973). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ 3 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: რეჟისორის ჩანაწერები, «თეატრალური მოამბე», 1964, № 1—2.

ლიტ.: Гугушвили Э., Джанелидзе Д., Грузинский драматический театр им. К. Марджанишвили, Тб., 1958. *ქ. ნინიკაშვილი.*

ტაბორა (Tabora), ქალაქი ტანზანიაში, ტაბორის პროვ. ადმ. ცენტრი. 23 ათ. მცხ. (1972). სარკინიგზო კვანძი. სას.-სამ. რ-ნის (თამბაქო, არაქისი, მარცვლეული) სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. ლითონდასამუშ. და კეების მრეწველობა.

ტაბორი (Tábor), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში, სამხრ. ჩეხიის ოლქში, მდ. ლუჟნიცეს ნაპირზე. 31 ათ. მცხ. (1980). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. ტ-ში არის საფეიქრო, თამბაქოს, ლუდის საწარმოები; ახლომდებარე ქ-ებში — ელექტროტექ. და ჩარხთსაშენი ქ-ნები, სინთეზური ბოჭკოს წარმოება.

დააარსეს 1420, ჰუსიტური მოძრაობის დროს, აჯანყებულმა გლეხებმა და პლებეებმა ძვ. დასახლება ჰრადიშტეს ადგილზე. იყო *ტაბორიტების* პოლიტ. და სამხ. გამაგრებული ცენტრი.

ტაბორიტები, რევოლუციური, ანტიფეოდალური ფრთის წარმომადგენლები ჰუსიტურ რევოლუციურ მოძრაობაში (იხ. *ჰუსიტური ომები*). „ტაბორის თემში“ შედიოდნენ გლეხობის ფართო ფენები, ქალაქის ღარიბობა, დაბალი სამღვდელოება, ხელოსნები, წვრილი თავადაზნაურობის ნაწილი. მათი იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენდა ქილიაზმი (იხ. *ქილიაზმი*). 1421 ზომიერი ტ. გაუსწორდნენ პიკარტების (ტ-ის მემარცხენე ფრთა) წინამძღოლებს. ტ-მა შექმნეს საველე ჯარი, რ-იც ი. *ჟიჟკას* საბრძოლო წესდებით ხელმძღვანელობდა, გამოიმუშავეს იმ დროისათვის მოწინავე სამხ. ტაქტიკა. ტ-ის ჯარებმა განადგურა ჰუსიტების წინააღმდეგ მიმართული 5 ჯვაროსნული ლაშქრობა. ტ-სა და *მებარძიმეებს* შორის წინააღმდეგობამ გამოიწვია მ. შ. აშკარა ომი. 1423, 1424 მებარძიმეები დამარცხდნენ. 1434 წ. 30 მაისს ტ. დამარცხდნენ ფეოდ. კათოლ. ბანაკისა და მებარძიმეების გაერთ. ძალებთან ბრძოლაში ლიპანისთან. ტ-ის ცალკეული რაზმები იბრძოდნენ 1437-მდე, მათი უკანასკნელი სიმაგრის სიონის დაცემამდე.

ტაბუ, კაპუ, ტაპუ (პოლინეზიური), აღკვეთათა სისტემა ჩამორჩენილ ხალხებში. ეხება სქესთა ურთიერთობას, სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმას, საკვებს, ბელადის პიროვნებას და ა. შ. ტ-ს დამრღვევს სიკვდილით სჯიდნენ. ტ-ს დადება შეეძლო ტომის ბელადს, ტერმ. „ტ.“ ევროპაში პირველად ჯ. კუკმა იხმარა 1771.

ტ., როგორც სოც. მოვლენა, პირველი ყოფილი ჯგუფის საზ-ბად გარდაქმნის ხანაში აღმოცენდა, ინსტინქტურად, სტიქიურად ჩამოყალიბდა და ხელს უწყობდა ინდივიდის საზ-ბის წევრად გარდაქმნას, გარკვეული როლი ითამაშა *ეგზოგამიის* აღმოცენებასა და განმტკიცებაში. იგი ყოველთვის აკრძალვით გამოიხატება, მაგრამ ყოველგვარი აკრძალვა ტ. არ არის. მისი ზემოქმედება ითვალისწინებს გარეგან კოლექტ. საფრთხეს, რ-იც ტ-ს დარღვევამდე პოტენციურ მდგომარეობაშია და ამოქმედდება მხოლოდ აკრძალვის დარღვევის შემდეგ. დამრღვევის დასჯას არ შეუძლია შედეგის შეცვლა. ამდენად, ტ-ს დაცვას განაპირობებს არა სასჯელის შიში, არამედ მისი დაცვის აუცილებლობა. ყოველივე ამის გამო ტ-ს ფენომენში უნდა აღმოცენებულიყო საზ. მნიშვნელობის ღირებულებები: სინდისი, ღირსება და ა. შ., რაც განსაზღვრავს ინდივიდის გასოციალურების ხარისხს, მის პასუხისმგებლობას საზ-ბის წინაშე. მწარმოებლური მეურნ. აღმოცენების ხანაში გაჩნდა სქესობრივ-საწარმოო ტ. — მეურნეობასთან დაკავშირებული აკრძალვის სისტემა, როგორც სოც. თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობა.

შედარებით მაღალგანვითარებულ ხალხებში ტ-ს ძვ. სისტემამ მთელი რიგი ახ. სოც. ნიშნები შეიძინა. აკრძალვათა უძველესი ფორმები ზოოლ. ინდივიდუალიზმის აღკვეცის პროცესის დასრულების შემდეგ კარგავენ ტ-ს ხასიათს და ჩვეულებრივ ზნეობრივ ნორმებად იქცევიან. ამიტომ მაღალგანვითარებული ხალხების ეთნოგრ. ყოფაში ტ-ს გადმონაშთები საჭეცველილი და დაშორებულია პირვანდელი ფორმისა და ფუნქციისაგან. ასეთია, მაგალითად, ქართველთა შორის სამონადირეო აღკვეთები, აღკვეთათა რთული სისტემა ხალხ. რიტუალების შესრულებისას და სხვ. *ირ. სურგულაძე.*

ტაბულატორი (<ლათ. tabula — დაფა, ცხრილი, ჩანაწერი), ელექტრომექანიკური ციფრული გამომთველელი მანქანა, რ-იც ავტომატურად ამუშავებს პერფორირებულ ბარათზე მოცემულ ციფრულ და ასოით ინფორმაციას და გამოთვლის შედეგები გადააქვს ქაღალდის ლენტზე ან სპეც. ბლანკზე (ტაბულაგრამაზე). ინფორმაციის წარმოდგენის ხასიათის მიხედვით ტ. არის ციფრული და ანბანურ-ციფრული (ნახ.); შედგება მართვისა და პერფობარათიდან ინფორმაციის შესატანი მოწყობილობებისაგან, არითმ. და დამხსომებელი მოწყობილობებისაგან, ავრეთვე ინფორმაციის პერფობარათზე ან საბეჭდ ლენტზე გადასატანი მოწყობილობისაგან.

ტაბულატურა (<ლათ. tabula — დაფა), 1. მუსიკის ჩაწერის ასოითი ან ციფრობრივი სისტემა XV—XVII სს-ში. არსებობდა ცალკეული საკრავისათვის განკუთვნილი ტ. (მაგ., ლუტნის, ორგანის, კლავესინის და ა. შ.). ბგერის სიმაღლე და პაუზა აღინიშნებოდა განსაკუთრებული ნიშნებით. თანდათანობით შეიცვალა უფრო მარტივი და თვალსაჩინო სისტემით (იხ. *სანოტო დამწერლობა*). 2. *მაისტერ-ზინგერების* რეპერტუარის ფორმისა და შინაარსის განმსაზღვრელი კრებული.

ტაბულეტები (Tabulata), *მარჯნის პოლიპების* ამომწყდარი კლასი. ცხოვრობდნენ გვიანდ. კამბრიულიდან პერმულ პერიოდამდე. ქმნიდნენ მასიურ, ბუჩქისებრ ან გართხმულ კოლონიებს. ჰქონდათ კიროვანი ჩონჩხი. კლასი 7 რიგის (აულოპორიდები, ლიქნარიიდები, ფავოზიტიდები, სარინგოპორიდები და სხვ.) 160-მდე გვარს მოიცავდა. ბინადრობდნენ ზღვების მეჩხერ ზონაში. მნიშვნელობა აქვთ პალეოზოური ნალექების სტრატიგრაფიისათვის.

ტაბუნი (გერმ. Tabun), $(CH_3)_2N(C_2H_5O)P(O)CN$, ციანფოსფორმჟავას დიმეთილამიდის ეთილის ეთერი, უფერული სითხე, $t_{დნ}$ — 50°C, $t_{დუღ}$ ≈230°C (დაშლით), სიმკვრივე 1087 *კგ/მ*^{3} (20°C). იხსნება წყალსა (დაახლ. 12%) და ორგ. გამხსნელებში. მომწამვლელი ნივთიერებაა.

ტაგანა, მარცვლეულის საწყაო XVIII ს. აღმ. საქართველოში. ს.-ს. ორბელიანის ცნობით, შეადგენდა კოდის 1/8, ე. ი. 1,25 ლიტრას ანუ 3,75 *კგ*. ეთნოგრ. ყოფაში ტ. სახელად ხის ჭურჭელს შემორჩა.

ტაგანროგი, ქალაქი რსფსრ როსტოვის ოლქში, ნავსადგური აზოვის ზღვის ტაგანროგის ყურის ნაპირზე. რკინიგზის სადგური. 285 ათ. მცხ. (1983). მეტალ., მანქანათსაშ., კვების, მსუბუქი, საშენ მასალათა მრეწველობა. რადიოტექ. და პედ. ინ-ტები, მეტალ., მექან. საზღვაო ხელსაწყოთსაშ., მანქანათსაშ. და სამშენებლო ტექნიკუმები, სამედ. და სამუსიკო სასწავლებლები. დრამ. თეატრი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სურათების გალერეა. ა. *ჩეხოვის* მუზეუმი (დაიბადა ტ-ში).

ტაგანროგის ყურე, უდიდესი ყურე აზოვის ზღვის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ზღვიდან გამოყოფილია ცელებით. სიგრძე დაახლ. 140 *კმ*, სიგანე შესასვლელთან 31 *კმ*, სამ. სიღრმე დაახლ. 5 *მ*. ნაპირები უმთავრესად მაღალია. ზოგან — ფლატოვანი, ბევრია ქვიშიანი ცელა. ტ. ყ-ში მდებარეობს ქვიშის კ-ები. ყურეში ჩადის მდ-ები: დონი, კალმიუსი, მიუსი, ეა. იყინება დეკ-ში, ყინულძვრაა მარტში. დიდი ნავსადგურებია: ჟდანოვი, ტაგანროგი.

ტაგანცევი ნიკოლოზ სტეფანეს ძე [19. II (3. III). 1843, პენზა, — 1923), რუსი კრიმინალისტი. სისხლის სამართლის *კლასიკური სკოლის* თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1867-იდან ასწავლიდა პეტერბ. უნ-ტსა (1882 ჩათვლით) და სამართალმცოდნეობის სასწავლებელში. 1881-იდან სახელმწ. სამსახურში იყო იუსტიციის სამინისტროში, შემდეგ — სისხლის სამართ. საკასაციო დეპარტამენტის თავ-რე. 1887-იდან სენატორი, 1906-იდან სახელმწ. საბჭოს წევრი. 1915—17 კრიმინალისტთა რუს. ჯგუფის საპატიო თავ-რე. *სისხლის სამართლის სჯულდების* (1903) პროექტის შედგენის ერთ-ერთი

ინიციატორი და აქტ. მონაწილე; მონაწილეობდა რევოლუციამდელი რუს. მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების გადასინჯვასა და მომზადებაში. ტ. ლიბერ. შეხედულებებისა იყო, გამოდიოდა სიკვდილით დასჯის. წინააღმდეგ. ყურადღებას უთმობდა ბავშვთა დანაშაულობასთან ბრძოლას.

ტაგი-ზადე ალი მამედის ძე (1889, თბილისი, — 1966, ბაქო), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ამიერკავკასიაში. სკკპ წევრი 1906-იდან. 1903 მონაწილეობდა თბილ. მუშების რევ. გამოსვლებში, აქტიურად იღვწოდა ორგანიზაცია *„ჰუმეთის“* ჩამოყალიბებისათვის. 1908 დააპატიმრეს. 1917 თებ. რევ. შემდეგ თბილ. ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრი იყო. 1918—20 მონაწილეობდა ამიერკავკ. კონტრრევ. ხელისუფლების წინააღმდეგ, ბრძოლაში, რისთვისაც ორჯერ იყო დაპატიმრებული. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა ხელმძღვ. პარტ. და საბჭ. სამუშაოზე. საქ. კპ (ბ) თბილ. ორგანიზაციის რაიკომის მესამე მდივანი, ბორჩალოს სამაზრო კომიტეტის მდივანი, საქ. კპ (ბ)-ის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის საკონტროლო კომისიის წევრი, სომხ. სსრ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარი, გაზ. „ყიზილ შაფაყის“ („წითელი განთიადი“) რედაქტორი (ერევანში), აზერბ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე. დაჯილდოებულია წითელი ღროშის ორდენით.

ს. კვაჭაძე.

ტაბილური ჯიში მსხვილი რქოსანი საქონლისა, სარძევე მიმართულების პროდუქტული ჯიში. გამოყვანილია XVIII—XIX სს-ში ნიჟნი ტაგილის (ურალი) მიმდებარე რ-ნებში ადგილ. საქონლის შეჯვარებით ხოლმოგორულ და პოლანდ. ჯიშებთან. ფერად უმეტესად შავჭრელი ან შავია, გვხვდება წითელი, წაბლა და რუხიც. კუროს მასაა 700—900 *კგ*, ფურისა — 400—500 *კგ* და მეტიც. ლაქტაციის პერიოდში ფურის მოწველია 3500—3800 *კგ* რძე, საუკეთესო მეურნეობებში — 5000 *კგ*-ზე მეტი რძე, რ-ის ცხიმიანობა 4,0—4,2% შეადგენს. შეგუებულია მკაცრ კლიმ. პირობებს. ჯიშს ამრავლებენ სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, ტიუმენის ოლქებში და უდმ. ასსრ-ში.

ტაეში, სალექსო მეტყველების ძირითადი რიტმულ-ინტონაციური ერთეული; პროზაული სტრიქონისაგან განსხვავდება სინტაქსური დამთავრებულობისაკენ სწრაფვით; ფონიკურ ორგანიზაციას საფუძვლად უდევს მეტრი, რაც ლექსთწყობის სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვანაირად ვლინდება. ტ-ის პაუზები შეიძლება დაემთხვეს და შეიძლება არც დაემთხვეს სინტაქსურ პაუზებს. ტ. მეორე ტ-თან (ან ტ-ებთან) შეერთებით ქმნის სტროფს.

რ. ბერიძე.

ტავერნიე (Tavernier) ჟან ბატისტ (1605, პარიზი, — 1689, მოსკოვი), ფრანგი ვაჭარი და მოგზაური. იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში (1631—68). მისი მოგზაურობის ჩანაწერები და ზეპირი მოგონებები დაამუშავა ფრანგმა მწერალმა შაპიუზომ. იგი არ იყო *ჟ. შარდენივით* განსწავლული და მის შრომაში არ არის ზუსტად დაცული ქრონოლოგია, ძნელი დასადგენია, რა აქვს პირადად ნანახი და რა სხვისაგან მოსმენილი, ხშირად იშველიებს შარდენსა და ბერნიეს. მისი თხზულების I ნაწილში რამდენიმე თავი, ზოგი მთლიანად და ზოგი ნაწილობრივ, კავკასიას ეხება, მაგ., I წიგნის II და IV და III წიგნის VI და VII თავები, ხოლო IX—X თავებში აღწერილია საქართველო.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ტავრი, ტოროსი (Toros' lar), მთათა სისტემა თურქეთის სამხრ. ნაწილში. გადაჭიმულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ 1000 *კმ*-ზე. ტ-ის ჩრდ.-აღმ. გაგრძელებაა *ანტიტავრი*. ცენტრ. ტ-ის სიმაღლე 3726 *მ* აღწევს (მთა დემიქაზიქი). დამახასიათებელია ალპ. რელიეფი, არის ძვ. გამყინვარების ნიშნები, დას. ნაწილში კარსტული ლანდშაფტია. ტ. ჩამოყალიბდა ალპ. დანაოჭების შედეგად. აგებულია კრისტ. ფიქლებითა და მეტამორფული ქანებით. სამხრ. კალთები ძლიერ ნოტიოა (ნალექები 1000—3000 *მმ* წელიწადში), 800—1000 *მ* სიმაღლემდე შემოსილია მაკვისით, ზევით მუხისა და კვიპაროსის ტყეებია, უფრო ზევით, 2200—2400 *მ*-მდე — ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის ტყეები. ჩრდ. კალთებზე (ნალექები 300—400 *მმ* წელიწადში) გავრცელებულია სტეპი, ტ-ის აღმ. ნაწილში — მთის სტეპი და ნახევარუდაბნოები.

ტავტოგრამა (ბერძნ. tautos — იგივე და ... *გრამა*), ლექსი, რ-შიც ყველა სიტყვა ერთი და იმავე ასოთი იწყება. ქართ. წყობილსიტყვაობაში ტ. არ დასტურდება.

ტავტოლოგია (ბერძნ. tautologia<tautos—იგივე და logos—სიტყვა), 1. ერთი და იმავე ცნების, აზრის ან გრძნობის გამოხატვა სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით. პოეტურ ენაში ტ. ვლინდება როგორც გამეორების ერთ-ერთი სახე, რ-იც ძლიერებს სიტყვის ემოციურ-მხატვრულ გამომსახველობით ღირსებას, ანიჭებს მას ესთეტ. მნიშვნელობას. საერთოდ კი ტ. ხასიათდება სიტყვათა უაღგილო, უფუნქციო გამეორებით. მაგ., ტავტოლოგიურია გლახა ჭრიაშვილის მეტყველება („გლეხთა განთავისუფლების სცენები“, ი. ჭავჭავაძე). 2. ლოგიკაში — ლოგიკის ფორმალური ენის გამოსახულება, რ-იც ამ ენის ყოველ ინტერპრეტაციაში ჭეშმარიტი წინადადებაა; იგივეა, რაც ლოგიკის კანონი; ლოგიკურად ჭეშმარიტი წინადადება, ზოგადმართებული ფორმულა; *ტრადიციულ ლოგიკაში* — ისეთი შეცდომა განსაზღვრებაში, როდესაც განმსაზღვრელი იმეორებს განსასაზღვრს.

ტავტომერია (ბერძნ. tautos — იგივე და meros — წილი, ნაწილი), სწრაფი შექცევადი სტრუქტურული იზომერიზაცია; ნივთიერებები, რ-თაც წონასწორობის დამყრებისას ტ-ის უნარი შესწევთ, წარმოადგენენ ორი ან მეტი ურთიერთგარდაქმნადი იზომერის (ტავტომერის) ნარევს (იხ. *იზომერია*).

ტაზი, მდინარე რსფსრ ტიუმენის ოლქის იამალ-ნენთა ავტ. ოკრუგში. სიგრძე 1401 *კმ*, აუზის ფართ. 150 ათ *კმ*². სათავე აქვს ციმბ. უვალებში. ჩადის კარის ზღვის ტაზის უბეში. მიედინება დას. ციმბ. ვაკის ჩრდ.-აღმ. ჭაობიან ადგილებში. უმთავრესად საზრდოობს თოვლისა (54%) და გრუნტის (27%) წყლით. ზემო დინებაში წყალდიდობა იცის აპრ. ბოლოდან ოქტ-მდე, ქვემო დინებაში — მაისის ბოლოდან ოქტ-მდე. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 357 *კმ*-ზე 930 *მ*³/*წმ* (შესართავთან — დაახლ. 1450 *მ*³/*წმ*), მაქს. — 6630 *მ*³/*წმ*, მინ. — 157 *მ*³/*წმ*. იყინება ოქტ-ში. ყინულძვრაა მაისის ბოლოსა და ივლ. დასაწყისში. თევზჭერა. სანაოსნოა ქვემოთში.

ტაზის ნახევარკუნძული, ნახევარკუნძული დასავლეთ ციმბირის ვაკის ჩრდ-ით, ობის უბესა (დას.) და ტაზის უბეს (აღმ.) შორის, რსფსრ ტიუმენის ოლქში. სიგრძე დაახლ. 200 *კმ*, საშ. სიგანე 100 *კმ*. ზედაპირი ვაკეა. სიმაღლე დაახლ. 100 *მ*. გავრცელებულია ტუნდრის მცენარეულობა.

ტაზის უბე, ყურე კარის ზღვის ობის უბეში, გიდანისა და ტაზის ნ.-კ-ებს შორის. სიგრძე დაახლ. 330 *კმ*, სიგანე შესასვლელთან 45 *კმ*. ნაპირები დაბალია. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 0,7 *მ*-მდე. ტ. უ-ში ჩადის მდ-ები ტაზი და პური.

ტათევის მონასტერი, შუა საუკუნეთა სამონასტრო კომპლექსი სომხეთში, სიუნიქის (ზანგეზური) ისტ. ოლქში, ახლანდ. სომხ. სსრ გორისის რ-ნი, მონასტერ-ციხესიმაგრე. სომხ. ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი. კომპლექსში შედის: გრიგორის კამაროვანი დარბაზი (836—48), პოღოსისა და პეტროსის (ჯვაროვან-გუმბათოვანი დარბაზული ნაგებობა, რ-ის ოთხივე კუთხეში ეგვტერებია, ინტერიერი მოხატულია, X ს.) ეკლესიები, ჭიშკარზე დაშენებული ასტვაწაწინის გუმბათოვანი დარბაზული ეკლესია (XI ს.) და სხვ. ტ. მ. კულტურის ცენტრიც იყო, ჰქონდა ბ-კა, სკრიპტორიუმი, უნ-ტი.

ტაი, ხალხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. რაოდ. 800 ათ. კაცი (1978, შეფასება), ენათესავებიან *ტაიებს*. ენა განეკუთვნება ტაი ენებს. ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან სამხრ. მონღოლოიდებს. რელიგია — ბუდიზმი. ტ-ს ძირითადი საქმიანობაა სათოხნი მიწათმოქმედება.

ტაიგა (იაკუტ. — ტყე), ჩრდილოეთის ზომიერი სარტყლის წიწვოვანი ტყე, რ-საც უჭირავს ჩრდ. ევრაზიისა და ჩრდ. ამერიკის უზარმაზარი ტერიტორია. ტ-ისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი, მყართოვლიანი, მკაცრი ზამთარი და შედარებით თბილი ზაფხული; ნალექების წლიური რაოდენობა, როგორც წესი, აღემატება აორთქლებას. მდებარეობის მიხედვით ტ. ორგვარია: ბარისა და მთისა. მთავარი შემადგენელი ხემცენარეების მიხედვით განარჩევენ მუქწიწვოვან (ნაძვი, სოჭი, ცუგა, ცრუცუგა, ლიბოცედრუსი, სეკვოია, ტუია და სხვ.) და ღიაწიწვოვან (ფიჭვი და ლარიქსი) ტ-ს. ტ-ის ხეთადგომაში დომინანტობს 1—2, იშვიათად 3 ან მეტი სახეობა (რაც ხშირია მთის ტ-ში). მათთან შერეულია ხოლმე არყი, ვერხვი, ნეკერჩხალი და სხვ. ფოთლოვნები. ბარის ტ-ში ეწერი და დამზრალი ნიადაგია, მთის ტ-ში— მთა-ტყის მურა ნიადაგი. ევრაზიაში ტ-ის ფართობის მეტი წილი, რ-იც სსრკ ფარგლებშია მოქცეული, ბარად ქმნის ტყის ზოლის ჩრდილო ქვეზონას. მასში მკვეთრად განირჩევა ჩრდ-იდან სამხრ-კენ განედური მდებარეობით შეპირობებული ზოლები: მეჩხერი, ჩრდილოეთისა, შუა, სამხრეთისა და ფართოფოთლოვან-წიწვოვანი. მეჩხერი ტ-ის ზოლი გარდამავალია ტ-სა და მის ჩრდ-ით მომიჯნავე ტუნდრას შორის და წარმოადგენს ტყე-ტუნდრას. ჩრდილოეთის ტ-ში ხეთადგომა უფრო ხშირია, მაგრამ მაინც მეჩხერი და დაბალი ბონიტეტისა. სსრკ ევრ. ნაწილში ჭარბობს ევროპული ნაძვი, აღმ-კენ კი მატულობს ციმბირული ნაძვი, დას-ით — ევროპული სოჭი, ნაწილობრივ ევროპული ლარიქსი; მცირე ფართობებზე, მწირსა და ქვიშიან ნიადაგზე, ჩვეულებრივი ფიჭვის მღიერიანი ტყეებია, დაჭაობებისას — სფაგნუმიანი. ციმბირში ამ ტ-ს ქმნის ციმბირული ნაძვი, ფიჭვი და ლარიქსი. აღმ. ციმბირში კი გადაშლილია დაურიული ლარიქსის ტ. აქვეა მწვანეხავსიან-მღიერიანი, ნაწილობრივ სფაგნუმიანი ნაძვნარი, არყნარ-ნაძვნარი და ფიჭვნარ-ნაძვნარი. ხშირად ვითარდება ქვეტყე (ქოწრდარა არყი, ციმბირული და ჩვეულებრივი ღვია, ტირიფი, ციმბირული ცირცელი და სხვ.). ტ-ის დამახასიათებელი ნიშნები უფრო გამოხატულია შუა ტ-ში. ხეთადგომა აქ შეკრულია, ბონიტეტი მაღალი და თესლით განახლებაც უკეთესი. ჩრდ-კენ ძლიერდება არყი და ვერხვი, ხავსის საფარი, რაც ზღუდავს ქვეტყის განვითარებას. სამხრ-კენ წიწვოვანთა გავრცელება დაბრკოლებულია ფოთლოვანთა კონკურენციით. დაჭაობებაც შედარებით ნაკლებია. დას-ით უფრო ხშირია ევროპული და ციმბირული, აღმ-ით— ციმბირული სოჭი. აქ ჩვეულებრივია მწვანეხავსიანი სოჭნარ-ნაძვნარი, დაჭაობები-



ტაგილური ჯიშის ფური.

ტაიგა



ამსხრეთის ტაიგა ჭვეშო ირტიშისპირეთში: სოჭი, ნაძვი, აქა-იქ ფოთლოვანი ხეები (არყი, ვერხვი, ცაცხვი).



პარკული ტიპის (შუა ციმბირი) ფიჭვნარ-ლარიქსიან-ბალახოვანი ტაიგა ნახაჭრალზე.



სამხრეთის ტაიგა ანგარის-პირეთში (ლარიქსი, ნაძვი, სოჭი).

სას სფაგნუმიანი, ისლიანი ან შეიტიანი ფიჭვნარ-ნაძვნარი და სხვ. ხშირია ბრძამიანი ლარიქსიანები (ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში). ს ა მ ხ რ ე თ ი ს ტ-ში უფრო ზომიერი და ტენიანი კლიმატის გამო უკეთესი პირობებია ტყისათვის, ბევრად ნაკლებია ბუნებრივი დაჭაობება, უფრო განვითარებულია ბალახოვანი საფარი, ნაკლებია ხავსი და მღიერი. ხეთადგომა 2—3-იარუსიანია, ხშირია ქვეტყე (ცაცხვი, ლეკა, ცხრატყავა, ცირცელი, ასკილი); დამახასიათებელია მჟაველიანი, მწვანეხავსიან-მჟაველიან-შავმოცვიანი, გვიმრიანი და ქვეტყიანი ნაძვნარი და სოჭნარ-ნაძვნარი. ფ ა რ თ ო ფ ო თ ლ ო ვ ა ნ - წ ი წ ვ ო ვ ა ნ ი ტ. (ქვეტაიგა) გავრცელებულია უმთავრესად სსრკ ევრ. ნაწილში, სადაც სოჭნარ-ნაძვნარსა და ნაძვნარში თანაბარმინანტურად შერეულია მუხები, ცაცხვი, კოპიტი, თელა, წიფელი, რცხილა, ლეკა. ამ ტყეებისათვის დამახასიათებელია ბუჩქების ქვეტყე და ბალახოვანი საფარი.

მთის ტ-ს დას. ევროპასა და სსრკ ევრ. ნაწილში ქმნის ნაძვის, სოჭის, ლარიქსისა და ფიჭვის ევრ. სახეობები, აგრეთვე ჩვეულებრივი ფიჭვი; ურალსა და ციმბ. მთებში — ციმბირული ნაძვი, სოჭი, ფიჭვი და ლარიქსი; შორეულ აღმოსავლეთში — აიანის ნაძვი, ამურისა და სახალინის სოჭი, მანჯურიული ფიჭვი; შუა აზიაში — ტიან-შანის ნაძვი და სოჭი; კავკასიაში, კერძოდ საქართველოში — აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი და კავკასიური ფიჭკა. ტ-ში ნაკაფებსა და ნახანძრალებში მეორეული ტყე ვითარდება (არყნარი, ვერხვნარი და ფიჭვნარი).

ჩრდ. ამერ. ბარის ტ-ს ქმნის ლეგა, შავი და ცისფერი ნაძვი, ბალზამის სოჭი, ვეიმუთის, ბანქსისა და ფისიანი ფიჭვი, კანადური ცუგა ანუ ჰემლოკი, ამერიკული ლარიქსი და სხვ. შერეულია ყვითელი და ქაღალდის არყი, შაქრის ნეკერჩხალი, ამერიკული თელა და სხვ. მეორეულ ტყეებად გავრცელებულია არყნარი და ვერხვნარი. მთის ტ-ში, გარდა ბარის ტ-ის ზოგიერთი სახეობისა, გვხვდება ფრეიზერის სოჭი, წითელი ნაძვი, ცრუცუგა, მარადმწვანე სეკვოია და სხვ. შერეულია ნეკერჩხალი, მურყანი და სხვ. მეორეულ ტყეებად აქ გვევლინება არყის, ვერხვის, ფიჭვისა და ტუიას ტყეები. ქვეტყიანი ტყეები აქ უფრო ხშირია, ვიდრე ევრაზიაში.

მ. საბოკია.

ტაიგა, ქალაქი რსფსრ კემეროვოს ოლქში. სარკინიგზო კვანძი ტრანსციმბირის მაგისტრალზე. არის რკინიგზის ტრანსპორტის, მსუბუქი და კვების მრეწვ., საშენ მასალათა საწარმოები. რკინიგზის ტრანსპ. ტექნიკუმი.

ტაიგონოსი, ნახევარკუნძული აზიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, რსფსრ მაგადანისა და კამჩატკის ოლქებში. მდებარეობს ოხოტის ზღვის შელიხოვის ყურეში. გამოყოფს გიჟიგის უბეს (დას.) პენჟინის (აღმ.) უბისაგან. სიმაღლე 1483 *მ*-მდე. გავრცელებულია მთის არქტიკული ტუნდრის მცენარეულობა.

ტაიები, ტაი ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფი. ცხოვრობენ სამხრ. ჩინეთში, ინდოჩინეთის ქვეყნებსა და ჩრდ.-აღმ. ინდოეთში. საერთო რაოდ. დაახლ. 60 მლნ. კაცი (1978, შეფასება). ტ-ს ჯგუფში შედიან ქონ-ტაიები (სიამელები), ლაო, ჯუანები, შანი, ბუი, ლი; უფრო მცირერიცხოვანი ხალხები სახლობენ ვიეტ. დემოკრ. რესპ. ჩრდ. რ-ნებში, ტაილანდსა და ბირმაში, აგრეთვე ლაოსში, გაერთიანებული არიან სახელწოდებით „მთიელი ტაიები".

ტაი (სიამური) ენა, ტაილანდის ოფიციალური ენა, განეკუთვნება *ტაი ენებს*. აქვს 4 დიალექტი. ტიპოლოგიურად იზოლირებულ ენებს ეკუთვნის. აქვს 20 თანხმოვანი და 24 ხმოვანი (18 მარტივი და 6 დიფთონგი). სიტყვაწარმოება უპირატესად კომპოზიციის მეშვეობით ხორციელდება; აფიქსების ნაცვლად იყენებს დამხმარე სიტყვებს. დამწერლობა შეიქმნა XIII ს-ში სამხრ. ინდურის საფუძველზე.

ტაი ენები, სამხრ.-აღმ. აზიაში გავრცელებული მონათესაე ენების ჯგუფი. მოიცავს *ტაი (სიამურ) ენას* (ტაილანდი), ლაოსურ, შანურ (ბირმა), ჯუანურ, დუნ-შუის, ლი (ჩინ. სრ, გუანსი) და სხვ. ენებს. ტ. ე-ზე ლაპარაკობს 60 მლნ. კაცი (1978). იყოფა ჩრდ., ცენტრ. და სამხრ.-დას. ქვეჯგუფებად. აგებულებით ჩინურის მსგავსია (მაგრამ მათ ახლო ნათესაობას მეცნიერთა უმრავლესობა უარყოფს). იზოლირებული ენებია. აქვთ ერთმარცვლიანი სიტყვები, გაირჩევა სიტვათგანმასხვავებელი ფუნქციის მქონე 5 — 6 ტონი. წინადადებაში სიტყვათა ურთიერთობას გამოხატავს სიტყვათა რიგი (ქვემდებარე - შემასმენელი—დამატება; საზღვრულ-მსაზღვრელი) და დამხმარე სიტყვები. ბევრია ჩინურიდან, პალი და ქმერული ენებიდან ნასესხები სიტყვა. ტ. ე-იდან ზოგს საკუთარი დამწერლობა აქვს (ინდური წარმომავლობისა). უძველესი წერილობითი ძეგლები განეკუთვნება XIII ს.

ტაივანი, ფ ო რ მ ო ზ ა, კუნძული წყნარ ოკეანეში, ჩინეთის აღმ. ნაპირთან, გამოყოფილია ტაივანის სრუტით. სიგრძე ჩრდ-იდან სამხრ-კენ 394 *კმ*, სიგანე 140 *კმ*-მდე. ფართ. დაახლ. 36 ათ. *კმ*². მოსახლ 15,6 მლნ. კაცი (1978). ნაპირები სუსტადაა შეჭრილ-შემოჭრილი, აღმ. ფლატოვანია, დას. — დამრეცი. კუნძულის მთელ სიგრძეზე გადაჭიმულია ტაივანის მთები (სიმაღლე 3997 *მ*-მდე). ჩრდ. ნაწილში ჩამქრალი ვულკანებია; დას. ნაწილში ზღვისპირა ვაკეა. ხშირია მიწისძვრა. არის ქვანახშირის, საწვავი აირის ნავთობისა და ოქროს საბადოები. ჰავა ჩრდ. ნაწილში სუბტროპიკულია, სამხრ-ში — ტროპ. მუსონური. იანვ. საშ. ტემპ-რა 15—20°C, ივლ. 25—30°C. ნალექები ბარში 1500—2500 *მმ* წელიწადში, მთაში ზოგან 5000 *მმ*-ზე მეტი (მაქს. ზაფხულში). აგვ.-სექტ-ში ხშირია ტაიფუნი. მდები უმეტესად მთისაა, წყალუხვია, შეიცავენ ჰიდროენერგიის დიდ მარაგს, იყენებენ სარწყავად. ტ-ის ტერიტ. ნახევარზე მეტი შემოსილია ტყით (3000-ზე მეტი სახეობა, აქედან 1500 ენდემურია). კალთების ქვედა ნაწილში ნოტიო მარადმწვანე ტყეა (პალმა, ბამბუკი, პანდალუსები, ლიანები), უფრო ზევით — ფართოფოთლოვანი და შერეული ტყე (დაფნა, კვიპაროსი, ნაძვი, სოჭი, ხისმაგვარი გვიმრა), 3300 *მ*-ზე ტყეს ცვლის შქერის ბუჩქნარი და მაღალმთის მდელო. სანაპირო ვაკეზე მოჰყავთ ბრინჯი, ბატატი, შაქრის ლერწამი, ანანასი; ადგილ-ადგილ მანგროვიანია. ეკონ. ინდუსტრ.-აგრ. ხასიათისაა. განვითარებულია საფეიქრო, რადიოელექტრონული, გემთსაშენი, კვების, ქიმ., ნავთობგადასამუშ. მრეწველობა. მთ. სამრეწვ. ცენტრებია: თაიბეი, გაისიუნი, თაიჭუნი.

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ც ნ ო ბ ა. ძველად ტ. დასახლებული იყო გაოშანის ტომებით. ჩინ. პირველი სამხ. ექსპედიცია ტ-ზე 230 ჩავიდა. XIII ს-ში ტ. ოფიციალურად აღინიშნა ჩინ. იმპერიის რუკაზე. ჩინ. მოახალშენეებმა ტ-ის მკვიდრი მოსახლ. მთიან რ-ნებში განდევნეს. XVI ს. დასასრ. — XVII ს. დასაწყისში ტ-ზე ევრ. კოლონიზატორები მივიდნენ, 1590 — პორტუგალიელები და მას ფორმოზა (მშვენიერი) უწოდეს. 1624 ტ. ჰოლანდიელებმა მიიტაცეს. 1661—62 ჩინელებმა ჰოლანდიელები განდევნეს და ტ. ანტიმანჯურიული ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ბაზად აქციეს. 1683-იდან მანჯურიის ცინების დინასტიამ დაიმორჩილა და 1886 იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად გამოყო. 1856—60 ინგლ.-საფრ.-ჩინ. ომების შედეგად ცინები იძულებული გახდნენ ტ-ის ნავსადგურები გაეხსნათ უცხოეთის სახელმწიფოებისათვის. 1884 საფრ.-ჩინ. ომის დროს საფრანგეთი ცდილობდა ტ-ის მიტაცებას. იაპ.-ჩინ. ომის (1894—95) შედეგად ტ. და პენხუს კ-ები *სიმონოსეკის ხელშეკრულებით* (1895) იაპონიას გადაეცა. II მსოფლიო ომში (1939—45) იაპ. მილიტარიზმის განადგურების შემდეგ 1945 წ. 25 ოქტ., კაიროს (1943) და პოტსდამის (1945) კონფერენციების გადაწყვეტილებებისა და იაპ. კაპიტულაციის შესახებ აქტის თანახმად ტ. ჩინეთს დაუბრუნდა. 1949 ჩინ. სრ-ის შექმნის შემდეგ ტ. გომინდანური კონტრრევ. თავშესაფარი გახდა. ჩანკაიშეკმა კუნძულზე შემოიღეს საყოველთაო სამხ. ბეგარა და აშშ-ის დახმარებით შექმნეს საკუთარი შეიარაღებული ძალები (530 ათ. კაცი, 1975). 1954 წ. 2 დეკ. აშშ-ის მთავრობამ დაამყარა დიპლ., პოლიტ. და ეკონ. ურთიერთობა გომინდანის რეჟიმთან და დადო მასთან ე. წ. ურთიერთუშიშროების ხელშეკრულება. 1971 ოქტ-მდე ტ-ს უკანონოდ ეკავა ჩინ. სრ-ის ადგილი გაეროში. ჩინ. სრ ტ-ს მიიჩნევს ჩინ. ტერიტ. განუყოფელ ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ჩინ. სრ და აშშ-ის ურთიერთობაში გარკვეული პოლიტ. მოსაზრებებით შემობრუნება მოხდა, ამას არსებითი ცვლილება არ მოუხდენია ტ-ის მდგომარეობაზე. აშშ კვლავინდებურად ინარჩუნებს ტ-თან ფაქტობრივად დიპლ. ურთიერთობას (შეცვლილი ფორმით — ამერ. ტაივანის ინ-ტის მეშვეობით), დადებული აქვს მასთან ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება, აწვდის სამხ. საჭურველს. ტ-ზე ხელისუფლება დღემდე ჩან კაიშის მემკვიდრეებს და მომხრეებს უჭირავთ.

ტაივანის სრუტე, ტ ა ი ვ ა ნ ს ა ი ა, ფ ო რ მ ო ზ ი ს სრ უ ტ ე, სრუტე აზიის კონტინენტის აღმ. ნაპირსა და კ. ტაივანს შორის. აკავშირებს აღმ. ჩინეთისა და სამხრ. ჩინეთის ზღვებს. სიგრძე დაახლ. 360 *კმ*, მინ. სიგანე დაახლ. 130 *კმ*, მინ. სიღრმე ფარვატერზე 60 *მ*. კონტინენტური ნაპირი დანაწევრებულია ყურეებით. არის ბევრი კუნძული. იცის ძლიერი მოქცევის დინება. ნავსადგურებია: გაოსიუნი, ფუჯოუ და სიამინი (ჩინეთი).

ტაიზი, ქალაქი იემენის არაბთა რესპუბლიკის სამხრ. ნაწილში. 100 ათ. მცხ. (1978). სავაჭრო-სატრანსპ. ცენტრი. აეროპორტი. ლითონის ჭურჭლისა და უალკოჰოლო სასმელების ქ-ნები, საკონდიტრო ფ-კა. არქიტ. ძეგლები.

ტაიკა (იაპ., სიტყვასიტყვით—დიდი ცვლილება), იმპერატორ კოტოკუს (645—654) გამგებლობის პირველი ნახევრის წლების (645—650) სახელწოდება იაპ. ოფიციალურ წელთაღრიცხვაში. ამ წლებში ჩატარდა რიგი რეფორმებისა, რ-ებიც ისტ. ლიტ-რაში „ტაიკის გადატრიალებით" ან „ტაიკის რეფორმებითაა" ცნობილი. ამ რეფორმების შედეგად იაპონიაში შეიქმნა ადრინდ. ფეოდ. ცენტრალიზებული სახელმწიფო. მთელი მიწა სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა და მეთემეებს აძლევდნენ ნადელის სახით. გლეხებს უნდა გადაეხადათ მძიმე გადასახადი და შეესრულებინათ შრომითი ბეგარა. აგრ. ურთიერთობათა სფეროში ცვლილებებს თან ახლდა სახელმწ. გამგებლობის ძლიერი ცენტრალიზებული აპარატის შექმნა, გვარტომობრივი წყობის გადმონაშთების ლიკვიდაცია, „ტაიკის რეფორმები" იურიდიულად გაფორმდა ტაიჰორიოს კოდექსში (701).

ტაილანდი, ტ ა ი ლ ა ნ დ ი ს ს ა მ ე ფ ო, სახელმწიფო სამხრ.-აღმ. აზიაში, უმთავრესად ინდოჩინეთის ნ.-კ-სა და მის სამხრ. კიდეზე (მალაკის ნ.-კ-ის ჩრდ. ნაწილი). სამხრ-ით აკრავს სიამის ყურე (სამხრ. ჩინეთის ზღვა), სამხრ.-დას-ით —

ანდამანის ზღვა. ტ-ის ტერიტორიაში შედის რამდენიმე მცირე კუნძული. ფართ. 514 ათ. *კმ*². მოსახლ. 49,6 მლნ. კაცი (1983). დედაქალაქი — ბანგკოკი. ოფიც. ენა — ტაი. ეროვნ. დღესასწაულია 5 დეკ. — მეფის დაბადების დღე (1927). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული და მთვარე-მზისა. ფულის ერთეულია ბატი. 23 ბატი=1 აშშ-ის დოლარს (1984). ადმინისტრაციულად ტ. იყოფა 72 ჩანგვატად (პროვინციად).

ტ. კონსტ. მონარქიაა. 1978-იდან მოქმედებს მუდმივი კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფესა და ორპალატიან პარლამენტს — ეროვნ. საკანონმდებლო კრებას, რ-იც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. სენატის წევრებს ნიშნავს მეფე ა წლის ვადით. წარმომადგენელთა პალატის წევრებს ირჩევს მოსახლ. 4 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაურია მეფე (მასთან არსებობს ფარული საბჭო). აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რ-საც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. სანაპირო ხაზის სიგრძეა დაახლ. 2500 *კმ*. ნაპირები უმთავრესად დაბალია, ბევრგან დაჭაობებული. მალაკის ნ.-კ-ის დას. სანაპიროზე ბევრია რიასული ყურე და ესტუარი. ტ-ის ტერიტ. ნახევარზე მეტი უჭირავს დაბლობ ვაკეებს (მ. შ. მენამის დაბლობს), დანარჩენი (უმთავრესად ქვეყნის ჩრდ. და დას. ნაწილში) — მთებს, სიმაღლე 2576 *მ*-მდე (მთა ინთანონი). სამხრ.-აღმ-ით, კამბუჩიის საზღვრის გაყოლებით, კრავანის მთებია. ტ-ის აღმ. ნაწილი უჭირავს კორატის პლატოს. სასარგებლო წიაღისეულიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კალა, რ-ის მარაგითაც ტ. კაპიტალ. და განვითარებად ქვეყნებს შორის II ადგილზეა (ინდონეზიის შემდეგ). არის აგრეთვე ვოლფრამის, სტიბიუმის, ფლუორიტის, ტყვიის, თუთიის, ბარიტის, რკინის, მანგანუმის, ქვანახშირის, კალიუმის მარილების, ნავთობის საბადოები.

ჰავა სუბეკვატორული მუსონურია. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა ბარში 22-იდან 29°C-მდეა (ყველაზე თბილი თვეა მაისი), მალაკის ნ.-კ-ზე 27—29°C. ნალექები მეტამის დაბლობზე 1000 *მმ*-ზე მეტია წელიწადში, კორატის პლატოზე — 900 *მმ*-მდე, მთაში — დაახლ. 3000 *მმ*. ხშირია ტაიფუნი.

მთავარი მდ-ებია მენამი, მეკონგი, სალუინი და მათი შენაკადები. ყველაზე დიდი ტბაა თალელუანგი (მალაკის ნ.-კ-ზე).

ტერიტ. დაახლ. 60% შემოსილია ტყით. მალაკის ნ.-კ-სა და კორატის პლატოს გარე კალთებზე, ლატერიტულ წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებზე მრავალიარუსიანი ნოტიო სუბეკვატორული ტყეა, ჩრდ-ით, წითელმიწა ნიადაგებზე—ტროპ. ტყე, მთების ქარზურგა კალთებზე — მუსონური ტყე. კორატის პლატოზე მაღალბალახოვანი სავანა და ბუჩქნარია, მდინარეთა გაყოლებით — ჭალის ტყე, სანაპიროზე — მანგროვიანი.

ცხოველთა სამყარო მიეკუთვნება ინდომალაის ზოოგეოგრ. ოლქს. ბინადრობს სპილო, ადამიანის მსგავსი მაიმუნი (გიბონი), მალაის დათვი, ვეფხვი, ჯიქი, ტაპირი და სხვ. მრავალფეროვანია ფრინველთა და ქვეწარმავალთა სამყარო. მდ-ები მდიდარია თევზით. სიამის ყურის სანაპირო წყლებში გავრცელებულია ქაშაყი და სკუმბრია. არის ეროვნ. პარკები.


მოსახლეობა. ტ. მრავალეროვანი სახელმწიფოა. მოსახლ. უმრავლესობა ტაიების ჯგუფია ხალხებია (სიამელები ანუ ქონტაიები, რ-ებიც ცხოვრობენ ქვეყნის ცენტრ. და სამხრ. რ-ნებში, ლაო — ჩრდ. მთებში და აღმ-ით. ქ-ებში სიამელებთან ერთად ცხოვრობენ ჩინელები, ქვეყნის სამხრ. ნაწილში—მალაიელები, სამხრ.-დას-ით—ჯარენები და მონები, სამხრ-აღმ. — ქმერები და მთის ქმერები, ჩრდილოეთის ცალკეული რ-ნები დასახლებულია ტიბეტურ-ბირმული ჯგუფის ხალხებით. სახლობენ აგრეთვე ვიეტნამელები, ინდოელები და სხვ. ოფიც. რელიგია — ბუდიზმის სამხრ. შტო. მალაიელები აღიარებენ ისლამს, ჩინელები—ბუდიზმსა და დაოსიზმს. მცირე რაოდენობით არიან კათოლიკეები და პროტესტანტები. მთიან რ-ნებში მისდევენ ძვ. ტრად. რწმენებს.

მოსახლ. მატების ტემპი მაღალია (დაახლ. 3% წელიწადში). ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 75% დასაქმებულია სოფ. და სატყეო მეურნეობაში, 25% — მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მომსახურების სფეროში (1982). მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 96 კაცი 1 *კმ*²-ზე (1983), მდ. მეკონგის დელტაში—1000 კაცი. მოსახლ. დაახლ. 15% ქალაქში ცხოვრობს. უდიდესი ქალაქია ბანგკოკი (5,5 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად, 1983). დიდი ქ-ებია: ჩიანგმაი, ნაქონრატჩასიმა, ლამპანგი.

ისტორიული ნარკვევი. ადამიანი ტ-ის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან (პალეოლითიდან) ცხოვრობს. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის პერიოდში იქ სახლობდნენ მონთა ტომები. მონთა პირველი სახელმწიფოები ტ-ის ტერიტორიაზე ახ. წ. I—II სს-ში აღმოცენდა. VII—VIII სს-ში მათ თავიანთი ძალაუფლება განავრცეს ჩრდ. ტ-ის ტერიტორიაზე. XI ს. დასაწყისში მონთა სახელმწიფო ლავო დაიმორჩილა ქმერთა იმპერიამ (კამბუჯადეშმა). მონებისა და ქმერების მაღალმა კულტურამ დიდი გავლენა იქონია ტაიების ხალხის კულტურის ჩამოყალიბებაზე. ახ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ტაიების ტომის ნაწილმა დაიწყო სამხრ-კენ გადანაცვლება და შეერია ადგილ. მოსახლეობას. XII ს. დასასრ. და XIII ს. დასაწყისში აღმოცენდა ტაიების მსხვილი სამთავროები, რ-ებიც 1238 გაერთიანდნენ და შექმნეს *სუკოტაის* სახელმწიფო. მისი დაშლის შედეგად აღმოცენდა ახ. სახელმწიფო სიამი (დედაქალაქი აიუთია). 1664 ჰოლანდიელებმა სიამის მეფეს თავს მოახვიეს პირველი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. ასეთივე ხელშეკრულება დაიდო საფრან-



ტაილანდის სამეფოს სახელმწიფო გერბი.



გეთთან 1685, 1687 წლებში, მაგრამ ფრანგებმა ვერ მოიკიდეს ფეხი სიამში და თავისი ჯარი გაიყვანეს. XVII ს. დასასრ. სიამი ევროპელებისათვის დაიხურა. 1767 სიამს ბირმელები შეესივნენ და დაანგრიეს ქ. აიუთია, მაგრამ სიამელებმა ტაქსინის ხელმძღვანელობით განდევნეს ბირმელები და გაერთიანდნენ. 1782 ტაქსინი განდევნეს. ტახტი დაიკავა გენ. ჩაკრიმ, რ-იც ცნობილია რამა I-ის სახელით (განაგებდა 1782—1809).

XIX ს. 80-იანი წლებიდან ინგლ. და საფრ. კოლონიზატორებმა დაიწყეს ბრძოლა სიამის გასანაწილებლად. 1896 სიამი გაიყო ინგლ. და საფრ. გავლენის სფეროებად (საზღვარი გადიოდა მდ. მენამ-ჩაო-პრაიაზე). XX ს. დასაწყისში გაფართოვდა უცხ. კაპიტალის ექსპანსია, რაც ამუხრუჭებდა ეროვნ. კაპიტალის დაგროვებას.

I მსოფლიო ომში (1914—18) სიამი ანტანტას მიემხრო (1917). ომმა ობიექტურად ხელი შეუწყო ადგილ. წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. დიდი ოქტ. რევ. ზეგავლენით აზიაში აღზევებულმა ეროვნ.-განმათ. მოძრაობამ აიძულა ინგლისი და საფრანგეთი, ნაწილობრივ დაეთმო სიამში მოპოვებული პრივილეგიები. ამ დროიდან სიამის მმართველ კლასს დაუპირისპირდა წვრილი ბურჟუაზია. დემოკრ. ახალგაზრდობა გამოვიდა ანტიმონარქისტული, დემოკრ. გადახალისების მოთხოვნებით. შეიქმნა (1928) პირველი მარქსისტული ჯგუფები. 1929—33 მსოფლიო ეკონ. კრიზისმა გაამწვავა სოც. ანტაგონიზმი, მშრომელთა უკმაყოფილება. ასეთ ვითარებაში 1932 წ. 24 ივნ. მოხდა სახელმწ. გადატრიალება, საკანონმდებლო ხელისუფლება გადავიდა პარლამენტის ხელში, მეფე ნომინალურად დარჩა სახელმწიფოს მეთაური. 1933 ოქტ. მონარქისტული შეთქმულების მარცხის შემდეგ მეფე გადადგა. ანტიკომუნისტურ კანონთან ერთად ახ. ხელისუფლებამ მიიღო ზომები წვრილი ეროვნ. კაპიტალის განსამტკიცებლად. 1936 დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების გაუქმებას, 1938—39 მოხდა უცხ. კომპანიების ნაწილის ნაციონალიზაცია. 1939 სიამს ეწოდა ტ.

II მსოფლიო ომში (1939—45) ტ. იაპ. მოკავშირედ გამოვიდა, ფაქტობრივად კი ოკუპირებულ იქნა იაპ. ჯარების მიერ. ტ-ში დაიწყო განმათ. მოძრაობა, ჩამოყალიბდა მასობრივი არალეგალური მოძრაობა „თავისუფალი ტაი". 1942 ნოემბ. შეიქმნა კომპარტია. 1947 ნოემბ. რეაქციონერმა ოფიცრებმა გადატრიალება მოაწყვეს. 40—50 წწ. მიჯნაზე დაიწყო ეკონომიკის აღდგენა, განმტკიცდა მსხვილი ბურჟ. (უპირატესად ჩინურის) პოზიციები, რ-იც დაუკავშირდა ტაის მმართველ ბიუროკრატიას. მმართველმა ბლოკმა აშშ-ზე აიღო ორიენტაცია და 1954 სეატოს წევრი გახდა. რეაქციულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ქვეყანაში უკმაყოფილება გამოიწვია. 50-იანი წწ. შუა ხანებში მთავრობა დაადგა რეჟიმის ლიბერალიზაციის (1955—57 — „დემოკრატიის პერიოდი") გზას. ჟენევის ხელშეკრულებამ (1954) მმართველ ზედაფენაში გააძლიერა ნეიტრალისტური ტენდენცია და ხელი შეუწყო დემოკრ. ძალების გამოცოცხლებას. ასეთ ვითარებაში არმიის სარდლობამ 1957 სექტ. მოაწყო გადატრიალება. 1958 ოქტ-იდან მმართველ რევ. კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ს. ტანარატი, რ-მაც დროებითი კონსტიტუციით (1959 იანვ.), როგორც მთავრობის მეთაურმა (1959—63), საგანგებო რწმუნებულება მიიღო. ყველა საზ. ორგანიზაცია აიკრძალა, დემოკრატები დააპატიმრეს. ანტიდემოკრ. რეჟიმი გაგრძელდა ტ. კიტიკაჩონის მმართველობის წლებშიც (1971—73). 1973 ოქტ. დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ დემონსტრანტები, ისინი მოითხოვდნენ რეჟიმის დემოკრატიზაციას, სამხ. დიქტატურის შეწყვეტას. ტ. კიტიკაჩონის სამხ. მთავრობა იძულებული გახდა ადგილი დაეთმო სამოქალაქო კაბინეტისათვის ს. ტამასაკის მეთაურობით. ს. ტამასაკის მთავრობამ გამოაცხადა თავისი განზრახვა ცალმხრივი საგარეო პოლიტ. ორიენტაციის შეცვლის შესახებ. 1976 წ. 20 ივლ. აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს ტ. ამერ. ბაზები ადგილ. ხელისუფლებას გადაეცა. 1977 წ. 20 ოქტ. ტ-ში მოხდა ახ. სამხ. გადატრიალება. ხელისუფლება გადაეცა „რევოლუციური საბჭოს" — სამხ. დაჯგუფების პოლიტ. ორგანოს, პარლამენტი და მთავრობა დაითხოვეს. 1977 წ. 10 ნოემბ. დროებითი კონსტიტუციით „რევოლუციური საბჭო" გარდაიქმნა ეროვნ. პოლიტ. საბჭოდ. 1978 წ. 22 დეკ. ძალაში შევიდა ახ. მუდმივი კონსტიტუცია. 1980 მარტში მთავრობა შეიცვალა. გენ. პ. ტინსულანონის ახ. მთავრობაში წამყვანი პოსტები დაიკავეს სამხ. და მსხვილი საფინანსო-ეკონ. დაჯგუფებების წარმომადგენლებმა. 1983 მარტში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები. მსხვილი ბურჟუაზიის არც ერთმა პარტიამ არ მიიღო ადგილების აბსოლ. უმრავლესობა პარლამენტში. ამან შესაძლებლობა მისცა სამხედროებს გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ ახ. კაბინეტის შედგენაზე, სადაც იმათმა წარმომადგენლებმა წამყვანი პოზიციები შეინარჩუნეს. საგარეო პოლიტიკაში ტ-ის მთავრობა აგრძელებს აშშ-თან, იაპონიასა და დას. ევრ. ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის განმტკიცების კურსს. კვლავინდებურად არ ცნობს კამპუჩიის სახ. რესპუბლიკას. ტ-ის ტერიტორიას თავს აფარებენ პოლ პოტის ბანდების დარჩენილი ნაწილები და რეაქციული კამპუჩიის ემიგრაცია, რ-ებიც შეიარაღებულ პროვოკაციებსა და დივერსიებს აწყობენ კამპუჩიის სახ. რესპ. წინააღმდეგ.

ეკონომიკა. ტ. განვითარებადი აგრ.-ინდუსტრ. სახელმწიფოა, რ-ის ეკონომიკა დამოკიდებულია უცხ. კაპიტალზე. მეურნ. მთავარი დარგები საექსპორტო ორიენტაციისაა.

მიწის დიდი ნაწილი მემამულეების ხელშია, გლეხობის ძირითადი მასა მცირემიწიანი და უმიწაწყლოა. არის კაპიტალ. საპლანტაციო მეურნეობები. სოფ. მეურნ. წამყვანი დარგია მიწათმოქმედება. მთავარი კულტურაა ბრინჯი (17 მლნ. ტ, 1982/83), რ-საც აშენებენ უმთავრესად მდ. მენამის დელტაში. მოჰყავთ (მლნ. ტ, 1982/83): სიმინდი — 3,2, სოია — 0,113, მანიოკი — 17, შაქრის ლერწამი — 23,9, ბატატი, არაქისი, აბუსალათინი, შირბახტი, ჩაი, ბამბა, ყავა, თამბაქო, სანელებლები და სხვ. აშენებენ ქოქოსის პალმას, ტროპ. ხილს, ჰევეას. მისდევენ მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, თევზჭერას (1,2 მლნ. ტ, 1983).

1950—70-იან წლებში ტ-ის მრეწვ. სტრუქტურაში შეიმჩნეოდა გარკვეული ძვრები. ტრად. დარგებთან (ხე-ტყის დასამუშ., კვების და სხვ.) ერთად გაიზარდა ახ. დარგები — კალის სადნობი, ელექტროტექ., ნავთობგადასამუშ. და სხვ.

ქვეყნისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კალის მადნის მოპოვებას (30 ათ. ტ, 1983). იღებენ აგრეთვე ვოლფრამის, რკინის, სტიბიუმის, ტყვიის, თუთიის მადანს, ფლუორიტს (280 ათ. ტ, 1983), ქვანახშირს, ნავთობს, ძვირფას ქვებს. გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება. დამუშავებითი მრეწვ. დარგები იყენებენ როგორც ადგილ., ისე შეტანილ ნედლეულს. განვითარებულია კვების (ბრინჯსაცეხვი, თევზის გადასამუშ., შაქრის, ზეთსახდელი, ხილსაკონსერვო, თამბაქოს), ხე-ტყის სახერხი, საფეიქრო მრეწვ., კაუჩუკის პირველადი გადამუშავება. არის ნავთობგადასამუშ. (7,9 მლნ. ტ ნავთობპროდუქტი, 1982), ქიმ., ფარმაცევტული, ქაღალდის, ლითონდასამუშ., ავტოსაამწყობო (93,5 ათ. ავტომობილი, 1982) საწარმოები. ვითარდება ფერადი და შავი მეტალურგია, საშენ ნასალათა წარმოება (7,3 მლნ. ტ ცემენტი, 1983). განვითარებულია შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოება.

რკინიგზის სიგრძეა 3,8 ათ. *კმ*, მილსადენებისა — დაახლ. 600 *კმ*, საავტ. გზებისა — 45 ათ-ზე მეტი *კმ* (1982). 1982 ავტოპარკში იყო დაახლ. 800 ათ. ავტომობილი. სანაოსნოა მდ. მენამი და არხები. 1982 საზღვ. სავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 607 ათ. ბრუტო სარეგისტრო ტ. მთავარი ნავსადგურია ბანგკოკი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტებია დონგ-მიანგი (ბანგკოკის მახლობლად) და ჰატიაი (ქვეყნის სამხრ. ნაწილში).

1983 ექსპორტმა შეადგინა 6,4 მლრდ. დოლ., იმპორტმა — 9,5 მლრდ. გააქვთ ბრინჯი, მანიოკი, კაუჩუკი, შაქარი, კალის მადანი. შეაქვთ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მანქანა-მოწყობილობა, სამრეწვ. ნედლეული. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან იაპონია, აშშ, საუდის არაბეთი, სინგაპური, მალაიზია.

განვითარებულია უცხოეთის ტურიზმი.

განათლება. ტ-ში 4—7 წლის ასაკის ბავშვებისათვის არის სკოლამდელი დაწესებულებები (1982 იყო 180 ათ-მდე აღსაზრდელი). დაწყ. სავალდებულო სკოლა 7-წლიანია (4+3), სწავლობდა 65 ათ-ზე მეტი მოსწავლე. საშ. ზოგადსაგანმან. აკად. სკოლა 5-წლიანია (3+2), სწავლობდა 850 ათ-მდე მოსწავლე. ბევრია კერძო სკოლა. ასწავლიან ლიტ-რას ტაი ენაზე. დაბალი საფეხურის (1—3-წლიანი) პროფტექსკოლები მუშაობს დაწყ. სკოლის ბაზაზე, უმაღლესი საფეხურისა (1—3-წლიანი) არასრული საშ. და 3-წლიანი პროფტექ. სკოლების ბაზაზე (სწავლობდა 80 ათ-მდე მოსწავლე). დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებენ 2 წლის განმავლობაში არასრული საშ. სკოლის ბაზაზე, საშ. სკოლის მასწავლებლებს — ინ-ტები და უნ-ტები. ბანგკოკში არის 5 უნ-ტი (60 ათ-მდე სტუდენტი) და ტექ. ინ-ტები (20 ათ-მდე სტუდენტი).

სამეცნ. დაწესებულებათა სისტემა ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ. სამეცნ. სამუშაოები ძირითადად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, აგრეთვე საზღვარგარეთისა და საერთაშ. ფირმებით.

ბანგკოკში არის ეროვნ. ბ-კა (1905; 730 ათ-მდე ტ., 144 ათ. ხელნაწერი), ეროვნ. მუზეუმი (1926).

ტ-ში გამოდის დაახლ. 80-მდე გაზეთი. ეროვნ. საინფორმაციო სააგენტო — ტ-ის ახ. ამბების სააგენტო — დაარსდა 1977 ბანგკოკში. რადიომაუწყებლობა მუშაობს 1938-იდან, ტელევიზია — 1955-იდან.

ლიტერატურა. ტ-ის ლიტ-რა ვითარდება ტაი ენაზე. აქვს მდიდარი ფოლკლორი. პოეტური ფოლკლორის პოპულ. ჟანრებია კლონსოტი — იმპროვიზებული ლექსები, სეფხა—ბალადები (უფრო მეტად ისტ. შინაარსისა), თავისებური იმპროვიზებული დრამ. წარმოდგენები — პლენგი. ტაის უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები — ქვაზე ამოკვეთილი ისტ. ხასიათის წარწერები XIII ს. ბოლოს და XIV ს. დასაწყისს განეკუთვნება. უძველესია „რამა კამჰენგის სტელა" (1229). ტ-ის ლიტ-რამ ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელ მანძილზე განიცადა ინდ. ლიტ-რის დიდი გავლენა, რაც განაპირობა ბუდიზმის როლმა ქვეყნის კულტ. და საზ. ცხოვრებაში. XX ს-მდე კარის პოეტებისათვის იდეების, სიუჟეტებისა და სახეების წყარო იყო ბუდისტური კანონი (განსაკუთრებით ჯატაკები), ნახევრად კანონიკური ბუდისტური ლიტ-რა სანსკრ. და პალი ენაზე და „რამაიანა" (ტაილანდური ვერსიით „რამაკიანი"). განვითარებული იყო ლირიკა. აღსანიშნავია ლირ.-ეპიკუ-

რი პოემა „პრალო“ (XV — XVI სს.), პოეტების სიპრატის, მაჰარატჩაკრუს (ორივე XVII ს. II ნახ.) და ტამატიბეტის (1732—55) შემოქმედება. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩარჩოვან თხზულებებს. ბერებმა ტაი ენაზე გადმოიღეს „პანჩატანტრა“, „ჰითოპადეშა“, „ეეტალას 25 ამბავი“ და სხვა ინდ. ჩარჩოვანი თხზულებები. ფართოდ გავრცელდა მონასტრებში შედგენილი ტაილანდური ჩარჩოვანი თხზულებების კრებულები: „50 ჯატაკა“, „ფრინველთა წიგნი“ და სხვ. XVIII ს-ში განვითარდა საერო ლიტ-რა. დაიწერა პირველი ორიგინ. პროზაული ნაწარმოებები, ითარგმნა ისტ. რომანები. XIX ს-ში შეიქმნა მნიშვნელოვანი ლირ.-ეპიკური პოემა „კუნ ჩანგი და კუნ პენი“, სუნტონ პუს (1786—1855) ფეერიული პოემა-ზღაპარი „პრა აპაიმანი“ (დაახლ. 1850), მეფე რამა II-ის (მეფობის წლები 1809—24) დრამ. პოემა „ინაო“ და სხვ. XIX ს. შუა წლებში იქმნება საკარო პოეზიის განმაქიქებელი პაროდიული ლიტ-რა. XX ს. 20-იანი წწ. და განსაკუთრებით 1932 რევ. შემდეგ იწერება მხოლოდ საერო ხასიათის ლიტ-რა. გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: ნატურალისტური და სოც.-რეალისტური. ნატურალისტური მიმართულების წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია კონფლიქტების აღწერით გატაცება, არსებული სინამდვილის იდეალიზაცია [მწერალ დოკმაისოტის რომანები „წესიერი“, (1947), „კეთილშობილი“, „სამი მამაკაცი“ და სხვ.; კო სურანგკანანგის, სოტ კუნმაროხიტის (დ. 1908), მალაი ჩუპინიტის სოც. ყოფითი რომანები]. სოც.-რეალისტური მიმართულების წარმომადგენელთა შემოქმედებაშიც აისახა ხალხის ცხოვრება [მწერალ სიბურაპას (1905—1974) რომანი „მომავლის პირისპირ“, 1955; ლაო კამხომის (დ. 1930), აჩინ პანჩაპანის (დ. 1927) მოთხრობები, მწერალი ქალის ტამაიანტის რომანები — „სისაძაგლე“, „ხასა“]. წამყვანი ადგილი დაიკავა პროზამ.

ხელოვნება. ტ-ის მხატვრული კულტურის ძეგლები ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანიდან არის ცნობილი. ტ-ის მხატვრულ კულტურას საფუძვლად დაედო მონთა (დვარავატის სახელმწიფო) და ქმერთა (ქმერთა იმპერია) ხელოვნება. სუკოტაის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ XIII ს-იდან ბუდიზმის მფარველობით იქმნება ეროვნ. ხელოვნება, ყალიბდება საკუთრად ტაის საკულტო კომპლექსის ტიპი — „ვატი“ სამლოცველოებითა და ტაძრებით (ჩანგლომის „ვატი“ სავანჭალოკში, XIII ს. დასასრული) და სხვ. ეროვნ. ხელოვნ. ტრადიციები შემდგომ ვითარდება სიამის სახელმწიფოში (XIV — XIX სს.). შენდება ქ-ები, მდიდრული „ვატები“, ვითარდება ქანდაკება, კედლის მხატვრობა. XIX ს. დასასრულიდან ტ-ში შეიჭრა დას. ევრ. ხელოვნ. ტრადიციები (მშენებლობა ბანგკოკში). XX ს. II ნახევარში პროგრ. ფერმწერები ევრ. რეალიზმის მიმდევარნი არაან, ამავე დროს ინარჩუნებენ ეროვნ. ხელოვნ. ტრადიციებსაც (ფერმწერი ტაჟი ნანდაკვანი, მოქანდაკე ხიენ იიმსარი და სხვ.). არსებობას განაგრძობს გამოყენებითი ხელოვნ. ეროვნ. ტრადიციები.

სიმღერა და ცეკვა უძველესი დროიდან იყო ტ-ის რელიგ. თუ ყოფითი წეს-ჩვეულებების თანმხლები. ტ-ის მუსიკას არ გააჩნია ნახევარტონები. მუს. ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მარტივი რიტმი (მცირე ვარიაციებით), სრულდება სწრაფ ტემპში. გავრცელებული საკრავებია: პინაი, სიმებიანი — კუ საუ სამ საი, ტიაკაუ, ორკესტრი ჩვეულებრივ შედგება ტაიონომისა (ინდ. ტომპანი) და კლონგ ტიადისაგან (ჩინ. დოლი). XIX ს. დასასრულს შემოვიდა ევრ. საკრავები და მუსიკა. ტ-ის კომპოზიტორები თანდათან ეუფლებიან და იყენებენ ევრ. მუს. ტექნიკას. ბანგკოკსა და სხვა დიდ ქ-ებში არის ევრ. ორკესტრები.

ტ-ის კლასიკური თეატრის სათავე ინდ. ეპოსიდან „რამაიანიდან“ მოდის, რ-იც ტ-ში ცნობილი გახდა XV ს-ში ტაის ჟერსიით — „რამაკიანი“. მისი მოტიეების მიხედვით შეიქმნა კლასიკური წარმოდგენის 3 სახე: კონი, ნანგი, ლაკონი. კონი არის ნიღბებიანი პანტომიმის თეატრი. ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; ნანგი — ჩრდილების თეატრი, პერსონაჟების შავი და ფერადი ფიგურები გამოჭრილია ხარის ტყავისაგან; ლაკონი — ტაის კლასიკური დრამა. სიუჟეტები აღებულია ბუდისტური თქმულებებიდან. ტ-ში მუდმივი თეატრი არ არის, არსებობს მოყვარულთა დასები.

ლიტ.: Берзин Э. О., История Таиланда (Краткий очерк), М., 1973; Искольдский В. И., Таиланд. Экономические очерки, М., 1971; Корнев В., Литература Таиланда, М., 1971.


ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 656—657.

ტაილანდის კომუნისტური პარტია (ტკპ; პაკ კომუნისტ ხენგ პრატეტაი), ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა I ყრილობაზე, 1942, არალეგალური მარქსისტული ჯგუფებისაგან (II ყრილობა — 1952, III ყრილობა — 1961). II მსოფლიო ომის (1939—45) დროს აქტიურად იბრძოდა იაპ. ოკუპანტების წინააღმდეგ. 1946 იატაკქვეშეთიდან გამოვიდა. მისი 3 წევრი ტაილანდის პარლამენტის დეპუტატებად აირჩიეს. დაიწყო ტკპ-ის ბეჭდვითი ორგანოს — გაზ. „მახაჩონის“ გამოცემა. 1947 გადატრიალების შემდეგ ტკპ კვლავ იატაკქვეშეთში გადავიდა, შექმნა არალეგალური რადიომაუწყებლობის ორგანო „ტაილანდის ხალხის ხმა“. გამოდიოდა არსებული რეჟიმისა და ქვეყანაში უცხოური იმპერიალიზმის ძალმომრეობის წინააღმდეგ. მოუწოდებდა შეიარაღებული ბრძოლისაკენ. 60-იან წლებში ტკპ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა ტაილანდის სახ.-განმათ. არმია, რ-მაც პარტიზანული ომი გააჩაღა მთავრობის ჯარებისა და პოლიციის წინააღმდეგ. 1969 ტკპ-ის რადიომ გამოაცხადა „ტაილანდის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის“ შექმნა. ტკპ-ის დელეგაცია მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, მოსკოვი). შემდგომ წლებში ჩინ. კომპარტიის ხელმძღვანელობის გამთიშველმა მოქმედებამ ტკპ პრაქტიკულად ჩამოაშორა საერთაშ. კომუნისტურ მოძრაობას. 1965-იდან იგი იარაღით იბრძვის მთავრობის წინააღმდეგ.

„ტაიმ“ („Time“ — „დრო“), აშშ-ის ყოველკვირეული საზ.-პოლიტ. ჟურნალი. დაარსდა 1923. გამოდის ნიუ-იორკში. აქვს 40 საზღვარგარეთული გამოცემა. ტირაჟი 4,5 მლნ. (1984).

ტაიმენი (Hucho), თევზების გვარი ორაგულისებრთა ოჯახისა. აქვთ წაგრძელებული სხეული, გვერდებიდან შებრტყელებული თავი. შავად დაწინწკლული სხეული წვრილი ქერცლითაა დაფარული. ტანად დიდი მტაცებელი თევზებია. სსრკ-ში გავრცელებულია ტ-ის 3 სახეობა: დუნაის ორაგული (Hucho hucho) სხეულის სიგრძე 1,5 *მ*, მასა 52 *კგ* (ჩვეულებრივ 2—4 *კგ*) აღწევს. გვხვდება დუნაის აუზში. ქვირითს ყრის გაზაფხულზე კენჭნარ გრუნტზე. მისი განვითარება დაახლ. 35 დღ.-ღ-ს გრძელდება; აშენებენ ხელოვნურადაც. საკუთრივ ტ-ის (H. taimen) სიგრძე 2 *მ*, მასა 80 *კგ* აღწევს. გავრცელებულია მდ. ვოლგისა და პეჩორის ზემო წელიდან ამურამდე; ტოფობს გაზაფხულზე. ყრის 10—34 ათ. ქვირითს. სახალინის ტ-ის ანუ ჩავიჩის (H. perryi) სიგრძე 1 *მ*, მასა 30 *კგ* აღწევს. გვხვდება სახალინისა და სამხრ. ზღვისპირეთის მდ-ებში. ტ-ის სარეწაო მნიშვნელობა მცირეა. *ვ. შარეაშიძე.*

ტაიმერი (ინგლ. timer<time — დროის აღნიშვნა), საკონტროლო-მარეგულირებელი ხელსაწყო, რ-იც დროის გარკვეულ მონაკვეთში ავტომატურად ჩართავს (ან გამორთავს) საწარმოო ან საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექ. სისტემას, მანქანას ან აპარატს, ანდა იძლევა სიგნალს მათი ჩართვის (ან გამორთვის) მომენტის დადგომის შესახებ. მოქმედების პრინციპის მიხედვით განასხვავებენ მექან., ჰიდრავ., პნევმ. და ელექტრულ ტ-ებს. ტ-ში სამუშაო დროის ინტერვალი (დროის დაყოვნება) ისეა მოცემული, როგორც *დროის რელეში*. ტ. ერთჯერადი, მრავალჯერადი და ციკლური მოქმედებისაა. დიდი სიზუსტე და საიმედოობა ახასიათებს საათის ბაზაზე აგებულ ტ-ს (ნახ.).



ტაიმერი. საათის მექანიზმიანი ერთჯერადი მოქმედების ტაიმერის სქემა, რომელსაც იყენებენ საყოფაცხოვრებო მოწყობილობების (რადიომიმღებების, ტელევიზორების, ელექტროქურების და სხვ.) მისაერთებლად ელექტროქსელთან: 1— საათის მექანიზმის ლილვზე დამაგრებული დაპროფილებული მუხტა; 2—ბერკეტი, რომლის გადაადგილებისას შეირთვება უძრავი (4) და მოძრავი (5) კონტაქტები; 3—ელექტრული ხელსაწყოს ტაიმერში ჩასართავი ბუდეები; 6—ბერკეტის მუხტაზე მიმჭერი ზამბარა; 7—ტაიმერის ელექტროქსელში ჩასართავი ბუდეები.

„ტაიმზ“ („The Times“ — „დროება“), ყოველდღიური ინგლისური გაზეთი, დაარსდა 1785. გამოდის ლონდონში. 1978 წ. 30 ნოემბრიდან გაზეთის მბეჭდავებსა და ადმინისტრაციას შორის კონფლიქტის გამო მისი გამოცემა შეწყდა. განახლდა 1979 წ. 13 ნოემბ. ფორმალურად „დამოუკიდებელი“ გაზეთი სინამდვილეში კონსერვატიული მიმართულებისაა და მჭიდრო კავშირი აქვს მმართველ წრეებთან, ეკლესიასა და საფინანსო-სამრეწვ. მონოპოლიებთან. 1981-იდან გაზეთი ავსტრალ. მაგნატის რ. მერდოკის გამგებლობაშია. ტირაჟი 297 ათ. (1984).

ტაიმირა, მდინარე რსფსრ კრასნოიარსკის მხარეში. სიგრძე დაახლ. 840 *კმ* (სხვა მონაცემებით 638 *კმ*), აუზის ფართ. 124 ათ. *კმ*². სათავე აქვს ბირანგის მთებში. ერთვის კარის ზღვის ტაიმირის უბეს. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის შუა ივნ-იდან სექტ-მდე. წყლის საშ. ხარჯი 1220 $მ^3/წმ$. იყინება სექტ. ბოლოს—ოქტ. დასაწყისში. ყინულძვრაა მაისის ბოლოდან ივნ-მდე. თევზჭერა.

ტაიმირი, ტაიმირის ნახევარკუნძული, აზიის უკიდურესი ჩრდ. ნახევარკუნძული კარის ზღვის ენისეის ყურესა და ლაპტევების ზღვის ხატანგის ყურეს შორის, რსფსრ კრასნოიარსკის მხარის *ტაიმირის (დოლგან-ნენთა) ავტონომიურ ოკრუგში*. ტ-ის უკიდურესი ჩრდ. წერტილია ჩელიუსკინის კონცხი. სამხრ. საზღვარს წარმოადგენს შუა ციმბირის ზეგნის ჩრდ. შვერილი. სიგრძე დაახლ. 1000 *კმ*, სიგანე 500 *კმ*-ზე მეტი, ფართ. დაახლ. 400 ათ. *კმ*². ტ-ის სანაპირო ძალზე დანაწევრებულია. ტ-ის ზედაპირი იყოფა 3 ნაწილად: *ჩრდილოეთ ციმბირის დაბლობი* — აგებულია დიდი სისქის ქვიშა-თიხოვანი ნალექებით; *ბირანგის მთები* — პარალელური მთაგრეხილები, გადაჭიმულია მდ. პიასინის აუზიდან ლაპტევების ზღვის სანაპირომდე; სანაპირო ვაკე — გადაჭიმულია კარის ზღვის სანაპიროს გასწვრივ. დიდი მდ-ებია: პიასინა, ზემო და ქვემო ტაიმირა, ხატანგა. ჰავა მკაცრია. გავრცელებულია მრავალწლოვანმზრალი ქანები. ტუნდრის მცენარეულობა. სამხრ. ნაწილში — მეჩხერი ტყე.

ტაიმირის (დოლგან-ნენთა) ავტონომიური ოკრუგი [1977-მდე ტაიმირის (დოლგან-ნენთა) ნაციონალური ოკრუგი], შედის რსფსრ კრასნოიარსკის მხარეში. შეიქმნა 1930 წ. 10 დეკ. მდებარეობს პოლარული წრის იქით. აკრავს კარის და ლაპტევების ზღვები. ფართ. 862,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 51 ათ. კაცი (1983), აქედან 64% ქალაქში ცხოვრობს. იყოფა 3 ადმ. რ-ნად. ცენტრი — ქ. დუდინკა. ოკრუგის ტერიტ. მოიცავს ტაიმირის ნ.-კ-ს, შუა ციმბირის ზეგნის ჩრდ. ნაწილს და ჩრდილოეთის მიწის არქიპელაგს. ოკრუგის ტერიტორიაზეა ნორილსკის მადნეულის რ-ნი და ტაიმირის ქვანახშირის აუზი. ჰავა მკაცრია. იცის ცივი ზამთარი (იანვ.

საშ. ტემპ-რა — 30°C), ხანმოკლე გრილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 2—13°C). მთელი წლის განმავლობაში ქრის ძლიერი ქარი. ნალექები 110—350 *მმ* წელიწადში. მთავარი მდ-ებია: ენისეი, პიასინა, ზემო და ქვემო ტაიმირა, ხატანგა. ბევრია ტბა (ტაიმირი, ლამა, პიასინო და სხვ.). ოკრუგის ტერიტ. შედის არქტიკულ, ტუნდრისა და ტყეტუნდრის ზონებში. ოკრუგში ცხოვრობენ რუსები (80%), დოლგანები (12%), ნენები (6%), ნგანასანები, ენები. საშ. სიმჭიდროვეა 0,1 კაცი 1 *კმ*² (1983). ოკრუგში არის 2 ქალაქი — დუდინკა, ნორილსკი და დაბა დიქსონი.

ისტორიული ცნობა. ადამიანს ოკრუგის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში უცხოვრია. ახ. წ. I ათასწლეულში აქ დამკვიდრდნენ სამოდიური ტომები — თანამედროვე ხალხთა (დოლგანების, ნენებისა და სხვ.) წინაპრები. განვითარებული იყო მეირმეობა, ნადირობა, ზოგან თევზჭერა. რუსები ტაიმირის ტერიტორიაზე პირველად XVI ს. შუა წლებში მოვიდნენ. ტაიმირის ხალხთა რუს. იმპერიაში შესვლამ დააჩქარა ადგილ. მოსახლ. ეკონ. განვითარება. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ საბჭ. ხელისუფლება აქ ერთბაშად არ დამყარებულა. 1919 არხანგელსკიდან ჩამოსული საბჭ. მუშაკების ხელმძღვანელობით შეიქმნა რევკომი, რ-მაც 1920 ზაფხულში ადგილ. პარტიზანების დახმარებით ტაიმირი გაწმინდა კოლჩაკის ბანდებისაგან. სრულიად ცაკის პრეზიდიუმის 1930 წ. 10 დეკ. დადგენილებით შეიქმნა ტაიმირის (დოლგან-ნენთა) ნაციონალური ოკრუგი (ცენტრი დუდინკა). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ოკრუგის ხალხები დაუღალავად შრომობდნენ ზურგში და იბრძოდნენ ფრონტებზე. ოკრუგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის (1971) და ხალხთა მეგობრობის (1972) ორდენებით.

მეურნეობა. ტ. (დ.-ნ.) ა. ო.-ში განვითარებულია სამთომოპოვებითი, თევზის მრეწველობა, მეირმეობა, ბეწვეულის წარმოება, თევზჭერა, სარძეო მეცხოველეობა და ნადირთმოშენება. განვითარდა ფერადი მეტალურგია. ოკრუგის ენერგეტ. ბაზაა უსტ-ხანტაიკის ჰესი (მდ. ხანტაიკაზე) და თეცი. განვითარებულია სამდინარო, საზღვაო, საჰაერო და სარკინიგზო (უკიდურესი ჩრდ. რკინიგზა მსოფლიოში დუდინკა—ნორილსკ—ტალნახი) ტრანსპორტი. მთავარი ნავსადგურებია დუდინკა, დიქსონი, ხატანგა. გაყვანილია აირსადენი მესოიახა—ნორილსკი. ოკრუგში არის 28 ზოგადსაგანმან. სკოლა, 44 სკოლამდელი დაწესებულება, 23 ბ-კა, 37 საკლუბო დაწესებულება, 63 კინოდანადგარი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. გამოდის საოკრუგო გაზ. „სოვეტსკი ტაიმირი" (1932-იდან), მუშაობს ადგილ. რადიომაუწყებლობა, რეტრანსლაცია — მოსკოვიდან.

ტაიმირის ტბა, ტბა ტაიმირის ნ.-კ-ზე (რსფსრ კრასნოიარსკის მხარე). მდებარეობს ბირანგის მთებში. სიგრძე 250 *კმ*, ფართ. 4560 *კმ*², საშ. სიღრმე 2,8 *მ*, მაქს. — 26 *მ*. ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილი აქვს. ჩრდ. და აღმ. ნაპირი ციცაბოა, სამხრ. — დამრეცი. ფსკერი უმთავრესად სწორია. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. აგვ-ში წყლის საშ. ტემპ-რა 7°C-მდეა. ზამთარში დიდ სიღრმეზე ტემპ-რა 1°C-ზე მაღალია. გაყინულია სექტ. ბოლოდან აგვ-მდე. ერთვის მდ-ები: ზაპადნაია, სევერნაია, ბიკადანგუომა, იამუტარიდა, კალამისამო, ზემო ტაიმირა. არის თევზი.

ტაიმტაქტორი [ინგლ. timetactor < time — დრო და (con) tactor — კონტაქტორი], *კონტაქტორი*, რ-შიც რეგულირებადია ამოქმედებისათვის საჭირო დაყოვნების დრო. ტერმ. „ტ." უმეტესად უცხოურ ლიტ-რაში გვხვდება. ტ. ერთდროულად ასრულებს კონტაქტორისა და დროის *რელეს* ფუნქციებს; იყენებენ ელექტრომძრავას ამუშავების წინაღობის საფეხურების შესართავად.

ტაინმაუთი (Tynemouth), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ტაინ-ენდ-უირის მეტროპოლიტენურ საგრაფოში, შედის ტაინსაიდის კონურბაციაში. 60 ათ. მცხ. (1981). კურორტი იმ ადგილას, სადაც მდ. ტაინი ერთვის ჩრდილოეთის ზღვას. ხის დასამუშ., კვების, სამკერვალო მრეწველობა. ტ-ის მახლობლად—თევზსაჭერი ნავმისადგომი.

ტაიოვსკი, გრეგორ-ტაიოვსკი (Gregor-Tajovský) იოსებ (17. X. 1874, ტაიოვი, ქ. ბანსკა-ბისტრიცის მახლობლად, — 20. V. 1940, ბრატისლავა), სლოვაკი მწერალი. იყო მასწავლებელი, ბანკის ჩინოვნიკი. 90-იან წლებში დაუახლოვდა სლოვაკი ინტელიგენციის ლიბერ. მოძრაობას „გლასიზმს". ნაწარმოებებს 1896-იდან აქვეყნებდა. ტ-ს საუკეთესო მოთხრობები სლოვაკური რეალიზმის განვითარების ახ. ეტაპს მოასწავებს (კრებულები: „მოთხრობები", 1900; „ნაღვლიანი ნოტები", 1907). ავტორია პიესებისა „ქალის კანონი" (1900), „სამსახურში" (1911) და სხვ., რ-შიც ასახავს გლეხური ცხოვრების ტიპურ კოლიზიას. ტ. ტყვედ ჩაბარდა რუსებს I მსოფლიო ომში. თანაუგრძნობდა 1917 ოქტომბრის რევოლუციას, მაგრამ ვერ გაიგო ინტერვენციის კონტრრევ. ხასიათი (კრებ. „მოთხრობები რუსეთზე", 1915 და სხვ.). 1919 დაბრუნდა სამშობლოში და გამოაქვეყნა მოთხრ. კრებულები („ახალი და ძველი სურათები", 1928 და სხვ.), დრამები („დიურკა ლანგსფელდის სიკვდილი", 1923, და სხვ.). 30-იან წლებში დაუახლოვდა ახალგაზრდა კომუნისტ მწერლებს.

ტაიპინგი (Taiping), ქალაქი მალაიზიაში, პერაკის შტატში. 54,6 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. კალის მომპოვებელი მრეწვ. უძველესი ცენტრი მალაკის ნ.-კ-ზე.

ტაიპინელთა აჯანყება 1850—64, უცხოური, მანჯურიული *ცინის* დინასტიისა და ფეოდალთა ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული გლეხთა ომი ჩინეთში, აჯანყებულებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფო. ტ. ა-ის მიზეზი იყო გლეხებსა და ფეოდალებს, ჩინ. ხალხის ძირითად მასასა და XVII ს. შუა ხანიდან ხელისუფლების სათავეში მდგომ მანჯურიულ არისტოკრატიას შორის ურთიერთობათა გამწვავება, რაც გამოიწვია გლეხთა ფეოდ. ექსპლუატაციის გაძლიერებამ, გადასახადების ზრდამ, კაპიტალ. სახელმწიფოთა აგრესიამ. აჯანყების მომზადებაში დიდი როლი ითამაშა რელიგ. ქრისტ. ორგანიზაციამ—ღვთის თაყვანისცემის საზ-ბამ. რ-იც 1843 ხუასიანის მაზრაში (გუანდუნის პროვ.) დააარსა აჯანყების მომავალმა უზენაესმა ხელმძღვ. ხუნ სიუციუანმა. აჯანყება დაიწყო 1850 ზაფხულში ძინტიანის რ-ნში (გუანსის პროვ.) და თავდაპირველად ლოკალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყების მსვლელობისას ჩამოყალიბდა აჯანყებულთა დისციპლინებული არმია და შეიქმნა „დიადი კეთილდღეობის ზეციური სახელმწიფო" (ტაიპინ ტიანგო), დაიწყო სამხ. ოპერაციები სახელმწ. ჯარების წინააღმდეგ. 1852 მაისში ტაიპინელები გამოვიდნენ გუანსიდან და გეზი ქვეყნის შუაგულისაკენ აიღეს. ამ ლაშქრობისას აჯანყებულთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობდა (20—30 ათ. კაციდან — 300 — 500 ათ-მდე), მათ არაერთი დიდი სამხ. გამარჯვება მოიპოვეს და თანდათანობით ტ. ა. მთელი ჩინეთის გლეხთა ომად იქცა. 1853 მარტში ტაიპინელებმა ქ. ნანკინი აიღეს და ტიანძინი — ზეციური დედაქალაქი — უწოდეს.

ნანკინში ტ. ა-ის ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს იმდროინდელი ჩინ. ფეოდ. საზ-ბის გასამხედროებულ პატრიარქალურ საზ-ბად გარდაქმნის უტოპიური პროგრამა — „ზეციური დინასტიის სამოწათმოქმედო სისტემა". ეს პროგრამა ემყარებოდა „გლეხური კომუნიზმის" იდეებს. პრაქტიკულად ტაიპინელებმა შეამცირეს მიწის საიჯარო გადასახადი გლეხებზე და გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი მემამულეებსა და მდიდრებს დააკისრეს. 1853 მაისში ტაიპინელებმა ციხის დინასტიის დამხობის მიზნით პეკინზე გაილაშქრეს, მაგრამ 1855 მაისში დამარცხდნენ. 1853—56 ტაიპინელებმა ახ. შეტევა წამოიწყეს ცენტრ ჩინეთში, მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს და გააფართოვეს თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორია, მაგრამ მტრისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება მაინც ვერ მოახერხეს. 1856 შემოდგომაზე ტაიპინელთა ხელმძღვანელობაში უთანხმოება მოხდა. მოკლეს აჯანყების 3 ხელმძღვანელი: იან სიუცინი, ვეი ჩანხოი და ცინ ჟიგანი, ათასობით აჯანყებული დახოცეს. 1857 შემოდგომაზე ახ. განხეთქილების შედეგად აჯანყებულთა ნაწილი *ში დაკაის* მეთაურობით სამხრ.-დას. პროვინციაში წავიდა. 1862 თებ-იდან ტაიპინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. 1863 შუა წლებში ტაიპენელებმა დაკარგეს მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორია მდ. იანძის ჩრდ. ნაპირზე, ჯეძიანის დიდი ნაწილი და მნიშვნელოვანი პოზიციები სამხრ. ძიანსუში. 1863 ივნ-ში ცინის ჯარებმა გაანადგურეს *ში დაკაის* ჯარების დაჯგუფება სიჩუანში. 1863—64 ტაიპინელებმა დაკარგეს თითქმის ყველა საყრდენი პუნქტი, 1864 ივლ-ში მტერმა ნანკინი აიღო და ტაიპინელთა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ტაიპინელთა არმიის ორი გადარჩენილი დაჯგუფება ერთხანს აგრძელებდა ბრძოლას. 1868 აგვ. ტაიპინელები საბოლოოდ დაამარცხეს მთავრობის ჯარებმა.

ტაიპოტრონი [ინგლ. typotron<type—მანქანაზე ბეჭდვა და *(ელექ)ტრონი*], ასოით-ციფრული ინფორმაციის ამსახველი ელექტრონულ-სხივური ხელსაწყო, წარმოადგენს *ბარაქტრონის* და *დამხსომებელი ელექტრონულ-სხივური მილაკის* შეხამებას; იყენებენ ელექტრონული ტაბლოს სახით საცნობარო სისტემებსა და რადიოლოკაციაში.

ტაიროვი ალექსანდრე იაკობის ძე [24. VI (6. VII). 1885, რომნი, — 25. IX. 1950, მოსკოვი], საბჭ. რეჟისორი. რსფსრ სახ. არტისტი (1935). შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო 1905 მსახიობობით, 1908-იდან — რეჟისორი. 1913 კ. მარჯვანიშვილის მიერ დაარსებულ მოსკოვის „თავისუფალ თეატრში" დადგა პეზელტონფიურსტის „ყვითელი კოფთა". 1914 ა. კოონენთან და ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად დააარსა კამერული თეატრი, რ-საც სათავეში ედგა სიცოცხლის ბოლომდე. ამ თეატრის პირველი სპექტაკლები იყო კალიდასას „შაკუნტალა" (1914), ანენსკის „ფამირა კიფარედი" და სხვ. დადგა მუს. სპექტაკლები: ლეკოკის „ჟიროფლე-ჟიროფლია", 1922; ბრეხტ-ვაილის „მათხოვრების ოპერა", 1930 და სხვ. ტ-ის შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალი იყო ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია" (1933). სხვა საუკეთესო დადგმები: ფლობერის „ქალბატონი ბოვარი" (1940), გორკის „მოხუცი" (1946) და სხვ.

თხზ.: Записки режиссёра, статьи, беседы, речи, письма, М., 1970.

ტაიტელები, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აბორიგენი პოლინეზიელი ხალხი ოკეანიაში. საერთო რაოდ. 82 ათ. კაცი (1978, შეფასება). ძირითადი მასა (დაახლ. 65 ათ.) ცხოვრობს საფრ. პოლინეზიაში, კ. ტაიტიზე და სხვა კ-ებზე. ლაპარაკობენ ერთ-ერთ პოლინეზიურ ენაზე. უმრავლესობა ქრისტიანია (კალვინისტები, კათოლიკეები). ტ-ის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება

(ქოქოსის პალმა, შაქრის ლერწამი და სხვ.), თევზჭერა და მეურნ. სხვა დარგები. ინარჩუნებენ თვითმყოფად კულტურას.

ტაიტი (Tahiti), ვულკანური კუნძული წყნარ. ოკეანეში, საზოგადოების კ-ებს შორის უდიდესი. ეკუთვნის საფრანგეთს. ფართ. 1042 *კმ*². მოსახლ. 84,5 ათ. კაცი (1970). ადმ. ცენტრი და ნავსადგური ქ. პაპეეტე. კუნძული შედგება ორი მთის მასივისაგან (სიმაღლე 2241 *მ*-მდე), რ-ებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ვიწრო (2 *კმ* სიგანის) ყელით. აგებულია ბაზალტებით, გარს აკრავს მარჯნის რიფები. ჰავა ტროპ., ზღვიური. ნალექები 1400 *მმ* წელიწადში. ხარობს ნოტიო ტროპ. ტყე. სანაპირო დაბლობზე გაშენებულია ქოქოსის პალმის, ბანანის, შაქრის ლერწმის, ანანასის პლანტაციები. მარგალიტის მოპოვება, თევზჭერა. გააქვთ კოპრა, ვანილი, სადაფი. ტურიზმი.

ტაიფუნი (ინგლ. typhoon < ჩინ. ტაი ფინ — ძლიერი ქარი), წყნარი ოკეანის დას. ნაწილში (ა. გ. 170°-მდე) ეკვატორის ჩრდ-ით წარმოქმნილი ტროპიკული *ციკლონის* ადგილ. სახელწოდება. ტ. გადაადგილდება დას-ით და ჩრდ.-დას-ით 10—20 *კმ/სთ* სიჩქარით და აღწევს ინდოჩინეთის, ჩინეთისა და კორეის ნაპირებს, შემდეგ მოძრაობს ჩრდ-კენ ან ჩრდ.-აღმ-კენ 30—50 *კმ/სთ* (ზოგჯერ 100 *კმ/სთ*) სიჩქარით და აღწევს იაპონიას, ზოგჯერ კურილის კ-ებს და კამჩატკასაც. წლის განმავლობაში იცის 30-მდე ტ., უმრავლესობა ივლ-იდან ოქტ-მდე. ტ-ს თან სდევს ზღვის ძლიერი ღელვა და რამდენიმე ასეული *მმ* ატმ. ნალექი.

ტაიშეტი, ქალაქი რსფსრ ირკუტსკის ოლქში, ტაიშეტის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო კვანძი. არის ავტოსარემონტო, შპალსაჭეწენთი, ჰიდროლიზის ქ-ნები, ქარხის ფ-კა, სატყეო და კვების მრეწვ. საწარმოები. სამედ. სასწავლებელი.

ტაიჯოუ, ტაისიანი, ქალაქი აღმ. ჩინეთში, ძიანსუს პროვინციაში. 500 ათზე მეტი მცხ. (1981). ნავსადგური ტუნიანის არხზე. ბამბეულის, აბრეშუმის, შაქრის, საფქვავი, ზეთსახდელი, ბრინჯსაცეხი, ჩაის გადასამუშ. საწარმოები.

ტაკამაცუ, ქალაქი იაპონიაში, კ. სიკოკუს ჩრდ. სანაპიროზე. კაგავის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 317 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური. გემთსაშენი, ბურთულასაკისრების, კვების, ხის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ. საწარმოები.

ტაკაოკა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს დას. ნაწილში, ტოიამის პრეფექტურაში. 175 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. ქიმ., მანქანათსაშ., ბამბეულის, ხის დასამუშ., კვების მრეწვ. საწარმოები. ალუმინისა და ლითონდასამუშ. ქ-ნები.

ტაკასაკი, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, მდ. ტორიგავის ნაპირზე, გუმის პრეფექტურის ცენტრ. ნაწილში. 221 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. მეაბრეშუმეობის რ-ნის საავაჭრო ცენტრი. საფეიქრო, სამკერვალო, ქაღალდის, საფქვავი მრეწვ., საფეიქრო მანქანათსაშ. და ელექტროხელსაწყოთსამშენებლო ქ-ნები.

ტაკელაჟი (ჰოლანდ. takelage) 1. *რანჰოუტის* დასამაგრებელი, ტვირთამწე სამუშაოების შესასრულებელი და აფრების სამართი გემსართების ერთობლიობა. მ დ გ ა რ ტ-ს (ვანტებს, სამარგულებს) იყენებენ რანჰოუტის ნაწილების დასაჭერად. ასეთი ტ-ის გემსართის ორიე ბოლოს ყრუდ ამაგრებენ. მ სრ ბ ო ლ ტ-ს იყენებენ სიგნალების, კანჭოების, ისრების, ტვირთისა და სხვ. ასაწევ-დასაწევად, აფრიან გემებზე კი აფრებისა და რანჰოუტის მოძრაობა ნაწილების სამართავად. მსრბოლი ტ-ის გემსართის ერთ ბოლოს ამაგრებენ უძრავად ან მოძრავ ელემენტზე, მეორე ბოლოს კი აწვდიან საწევ მექანიზმს ან დროებით ამაგრებენ. 2. გვარლები, ჯამბარები, ჯაჭვები, რ-ებსაც იყენებენ ტვირთამწე მოწყობილობებთან ერთად მძიმე ტვირთის, მოწყობილობების ასაწევად სამონტაჟო, სამშენებლო და სხვა სამუშაოების დროს.

ტაკელი ა მ პ უ ტ ა ც ი უ რ ი, სხეულის ნაწილი, რ-იც რჩება რომელიმე ორგანოს (კიდური, კუჭი, საშვილოსნო, ჭიანაწლავი) ამპუტაციის ან ოპერაციის შემდეგ (ყველაზე ხშირად ტ-ს უწოდებენ კიდურის ამპუტაციის შემდეგ დარჩენილ ნაწილს). ზოგიერთ ავადმყოფს ამპუტაციის შემდეგ ეწყება არარსებული კიდურის ტკივილის ცრუ შეგრძნება (ფ ა ნ ტ ო მ უ რ ი შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა). ტ-ის დაავადებები — ჭრილობა, ოსტეომიელიტი, ეგზემა და სხვ. სპეც. მკურნალობას, ზოგჯერ კი განმეორებით ამპუტაციას (რეამპუტაცია) საჭიროებს. ტ-ის დეფექტებს, რ-ებიც ხელს უშლიან პროთეზის ტარებას, განეკუთვნება გრძელი ან მოკლე ტ., კონუსისებრი ტ., ჭარბი კანი, კონტრაქტურა, სახსრების ანკილოზი და სხვ. პროთეზირებისათვის აუცილებელია, რომ ტ. უმტკივნეულო იყოს, ჰქონდეს ჯანსაღი კანი, ძლიერი კუნთები და დარჩენილ სახსრებში თავისუფალი მოძრაობის უნარი.


ტაკენ კოდო ხმაინი (ლიტ. სახელი; ნამდვ. სახელი უ ლ უ ნ ი) (23. III. 1876, ვალე. ქ. პის ახლოს, — 27. VII. 1964, რანგუნი), ბირმელი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე. მიიღო ბუდისტური განათლება. წერა დაიწყო XIX ს. დასასრულიდან. სახელი მოუხვეჭა ისტ. თემაზე დაწერილმა პიესებმა. ეკუთვნის პოლიტ. სტატიები, ესეები, ნარკვევები, ლექსები, შრომები ბირმის კულტ. ისტორიის შესახებ, აგრეთვე რომან-პამფლეტი „მისტერ მაუნ ხმაინის დარიგება" (1915—21). ტ. ჯ. ხ. არის *დობამა ასიაოონის* ერთ-ერთი დამაარსებელი. II მსოფლიო ომის დროს (1939—45) მხარს უჭერდა წინააღმდეგობის მოძრაობას იაპ. ოკუპანტების წინააღმდეგ. ბირმის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1948) შემდეგ აქტიურად ჩაება მშვიდობისათვის ბრძოლაში. იყო ბირმის მშვიდობის საბჭოს პრეზიდენტი (1952) და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი (1953). მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემია (1954).

ტაკიძავა ბაკინ (4. VII. 1767, ტოკიო,— 1. XII. 1848, იქვე), იაპონელი მწერალი. ეკუთვნის ავანტიურულ-სათავგადასავლო თემაზე დაწერილი, ძირითადად დიდაქტ. ხასიათის 300-მდე ნაწარმოები. მისი შემოქმედების დედააზრია „სიკეთესთან ზიარება და ბოროტების დათრგუნვა". ტ. ზოგჯერ ფანტასტ. სიუჟეტების დახმარებით ხსნის თავისი გმირების რეალურ ხასიათს („მეევახშის საკუჭნაოში", 1810). მნიშვნელოვანია მისი 4-ტომიანი რომანი „რვა ქოფაკის ამბავი" (1814).

ტაკიძე დარეჯან საბას ასული (დ. 15. I. 1920, სოფ. ნატანები, ახლანდ. მახარაძის რ-ნი), სოფელ ნატანების ე. ი. ლენინის სახ. კოლ-ბის მეჩაიე-მერგოლური. სკკპ წევრი 1945-იდან. ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1948 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ტაკიძეები, სოფელი აჭარის ჭსრ შუახევის რ-ში (ჭვანის სოფსაბჭო), მდ. ჭვანისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 600 *მ*, შუახევიდან 8 *კმ*. მ. კალინინის სახ. ჭვანის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცენახეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი. შუა საუკ. ციხის ნანგრევები.

ტაკლა-მაკანი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვიშიანი უდაბნო ჩინეთის დას. ნაწილში. სიგრძე დას-იდან აღმ-კენ 1000 *კმ*-ზე მეტი, სიგანე 400 *კმ*-მდე. ქვიშნარის



ტაკელაჟი. სამანძიანი აფრიანი გემის მდგარი ტაკელაჟი: 1 — ფორ-ბომ-ბრამშტაგი; 2—ფორ-ბრამ-შტაგი; 3 — ფორ-სტენ-შტაგი; 4—ფოკის შტაგი; 5—ფოკის ვანტები; 6—ფორ-სტენ-ფორდუნები; 7—ფორ-სტენ-ვანტები; 8 — ფორ-ბომ-ბრამ-ფორდუნები; 9—ფორ-ბრამ-ფორდუნები; 10—ფორ-ბრამ-ვანტები; 11 — გრტ-ბრამ-ტოპ-შტაგი; 12 — გროტბრამ-შტაგი; 13 — გრტ-სტენ-შტაგი; 14 — გროტ-სტენ-ვანტები; 15—გროტშტაგი; 16 — გროტ-ვანტები; 17—გროტ-სტენ-ფორდუნები; 18—გროტ-ბრამ-ფორდუნები; 19 — კრუის-ბრამ-ტოპ-შტაგი; 20 — გროტ-ბრამ- კონტრ- შტაგი; 21 — კრუის-სტენ-ვანტები; 22—ბიზან-შტაგი; 23—კრუის-ბრამ-ფორდუნები; 24—კრუის - სტენ - ფორდუნები; 25—ბიზან-ვანტები.



ვ. ტალალიხინი.

ფართ. 300 ათ. *კმ*²-ზე მეტი. ზედაპირი ვაკეა, თანდათან დაბლდება ჩრდ-ისა და აღმ-კენ 1200—1300-იდან 800—900 *მ*-მდე. დას. ნაწილში აღმართულია ქვიშაქვებით აგებული ცალკეული ჭიუხები (სიმაღლე 1664 *მ*-მდე); სამხრ.-დას. ნაწილში ჭარბობს ბარხანები, ჩრდ.-აღმ. ნაწილში — ქვიშიანი სერები და პირამიდები (სიმაღლე 150—300 *მ*). ტ.-მ-ის განაპირა ადგილებში დიდი ფართობი უჭირავს მლაშობებს. ჰავა ზომიერად თბილი, მკვეთრად კონტინენტურია. ნალექები 50 *მმ*-ზე ნაკლებია წელიწადში. კუნძულის მთებიდან წამოსული მდ-ები თანდათანობით იკარგება ტ.-მ-ის ქვიშებში, ზოგ წელიწადს მხოლოდ მდ. ხოტანი კეთილ ზაფხულობით უდაბნოს და აღწევს მდ. ტარიმამდე. მიწისქვეშა წყლის დონე 3—5 *მ* სიღრმეზეა. ტ.-მ-ის ტერიტ. დიდი ნაწილი მოკლებულია მცენარეულ საფარს, ადგილ-ადგილ გვხვდება იალღუნი, ხიტრარია, ლერწმის რაყები; ხეობების გასწვრივ—ვერხვი, ტურანგი, ფშატი, ცერცვეკალა, ერთწლოვანი მლაშობურები, საქსაული. ცხოველთა სამყარო ღარიბია. ეშვიათად გვხვდება ანტილოპა, კურდღელი, მექვიშია, მიწის კურდღელი, მემინდვრიები, ხეობებში — ტახი. ტ.-მ-ში მუდმივი მოსახლეობა არ არის, ხეობებში ზოგან ოაზისებია. ტ.-მ-ის სამხრ. ნაწილში არის ძვ. ნასახლარები.

ტაკომა (Tacoma), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში, ვაშინგტონის შტატში. 158 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 483 ათ. (1980). ნავსადგური პიუჯეტ-საუნდის ყურეში. ხე-ტყის დასამუშ., მანქანათსაშ., ქიმ. და კვების მრეწვ., ფერადი მეტალურგია. გემთსაშენები.

ტაკორადი (Takoradi), ორმაგი ქალაქის ნაწილი განაში. იხ. *სეკონდი-ტაკორადი.*

ტალავერი, ხის ან რკინაბეტონის ბოძებით აგებული და ვაზით გადახურული საჩრდილობელი. *ბაღლარი* მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა საქართველოში. სატალავრე ვაზი ლაღად იზრდება და უხვმოსავლიანია, მსხვილი მტევნები აქვს. ტ-ის სიცოცხლის ხანგრძლივობა 200—300 წელს აღწევს.

ტალალიხინი ვიქტორ ვასილის ძე (18. IX. 1918, სოფ. ტეპლოეკა, ვოლსკის რ-ნი, სარატოვის ოლქი, — 27. X. 1941. პოდოლსკის მახლობლად), საბჭ. მფრინავი, უმცროსი ლეიტენანტი (1938), საბჭოთა კავშირის გმირი (8. VIII. 1941). სსრკ-ფინ. ომის (1939—40) მონაწილე. დიდ სამამულო ომში (1941—45) იყო ავიაესკადრილიის მეთაურის მოადგილე. 1941 წ. 7 აგვ. პირველმა გამოიყენა ტარანული დარტყმა ღამის საჰაერო ბრძოლაში მოსკ. მისადგომებთან. 1941 ოქტ. გმირულად დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულებისას. ტ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და ორი სხვა ორდენით.

ტალანი, წინა ოთახი; სათავსი ბინაში, რ-ითაც საცხოვრებელი ოთახები კიბის ბაქანს უკავშირდება.


ტალანტი (ბერძნ. talanton, თავდაპირველად—წონა, სასწორი), ბერძნული წონითი და ფულადი საანგარიშო ერთეული. ნასესხებია ბაბილონიდან. ტ. იყოფოდა 60 მინად და შეიცავდა 6000 დრაქმას ან 36000 ობოლს. სოლონის რეფორმის შემდეგ



შ. მ. ტალეირანი. პორტრეტი. პ. პრიუდონეს ნახატი.



მ. ტალი.



ხელის ჭიაბრაბნული ტალი.

(ძვ. წ. 594) ბერძნ. სახელმწიფოებში დამკვიდრდა ატიკური ტ., რ-ის მასა 26,2 *კგ* იყო. ალექსანდრე მაკედონელის დროიდან (ძვ. წ. 336 — 323) ტ-ის მასა 25,9 *კგ*-მდე შემცირდა. ტ. ფულად მიმოქცევაში არ იყო, იგი მხოლოდ საანგარიშო ერთეულს წარმოადგენდა. *გ. დუნდუა.*

ტალახაძე გაბრიელ რევაზის ძე (დ. 22. 1. 1908, თელავი), ქართველი საბჭ. აგრონომ-ნიადაგმცოდნე. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1931 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. დიდი სამამულო ომის (1941—45) მონაწილე. 1959—83 საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგე. 1983-იდან კათედრის კონსულტანტ-პროფესორი. იკვლევს საქართვ. ნიადაგების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხებს, აგროსაწარმოო თვისებებს, ამპელოეკოლოგიურ მახასიათებლებს, დაწიდვის პროცესების მექანიზმს, ავტორია შრომებისა „ნიადაგური ტენი", „ნიადაგთმცოდნეობის პრაქტიკუმი" (ორივე 1958), „საქართველოს ძირითადი ნიადაგური ტიპები" (1962), „საქართველოს ნიადაგების რუკა" (1963), „საქართველოს შავმიწები" (1964), „ზოგადი ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლები" (1971), „ნიადაგის ფიზიკა" (1977, ი. ანჯაფარიძესთან ერთად), „კერძო ნიადაგთმცოდნეობა" (1976), „ნიადაგი და ვაზი" (1980), „საქართველოს ნიადაგები" (1983), „საქართველოს ნიადაგების ატლასი" (1984, თანაავტორი ი. ანჯაფარიძე) და სხვ. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავისა და 2 „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით. *გ. თოდუა.*

ტალახით მკურნალობა, პ ე ლ ო თ ე რ ა პ ი ა (ბერძნ. pēlos — თიხა, ტალახი და *თერაპია*), მკურნალობის მეთოდი, ტალახის და ტალახის მაგვარი ნივთიერებების (პ ა რ ა ფ ი ნ ი, ოზოკერიტი და სხვ.) გამოიყენება სამკურნალო მიზნით, წარმოშობის მიხედვით სამკურნ. ტალახი შეიძლება იყოს დანალექი, ვულკ- და ტორფისა. დანალექი ტალახი ტბებსა და ლიმანებში წარმოიქმნება და ორგ. ნივთიერებების რთულ ნარევს წარმოადგენს. ვულკანური (ფსევდოვულკანური) ტალახი გამოიყოფა სოპკებში ტალახის ვულკანების ამოფრქვევის შედეგად; მისი მყარი ნაწილი შეიცავს ბიოლოგიურად აქტ. მიკროელემენტებს — ბრომს, იოდს, ლითიუმს და სხვ. ხოლო თხიერი ნაწილი — წყალში გახსნილ მარილებსა და ორგ. ნივთიერებებს. ტორფის ტალახი წარმოიქმნება ჭაობიან ადგილებში მცენარეული ორგ. ნივთიერებების ხანგრძლივად ლპობისა და ნიადაგთან შერევის შედეგად.

სამკურნ. ტალახის ძირითადი ფიზ. თვისებებია დიდი სითბოტევადობა, მცირე სითბოგამტარობა და მაღალი ადსორბციის უნარი. განარჩევენ სამკურნ. ტალახის მოქმედების ნერვულ-რეფლექსურ, ნერვულ-ქიმ. და პროცედურის შემდგომი მოქმედების ფაზებს. ტალახის პროცედურები მრავალმხრივ გავლენას ახდენს ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლ. ფუნქციაზე, ცენტრ. და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე, სისხლის მიმოქცევის ორგანოებზე, ენდოკრინულ სისტემაზე; იწვევს ამ სისტემებისა და ორგანოების სტიმულაციას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას აფართოებს პერიფერიულ სისხლძარღვებს, აძლიერებს ქსოვილებში ჟანგვა-აღდგენით პროცესებს და ქსოვილთა ტროფიკას, ხელს უწყობს ანთებითი კერების შეწოვას და აჩქარებს რეგენერაციის პროცესებს.

ტ. მ. ტარდება აპლიკაციებისა და აბაზანების სახით. აპლიკაციების დროს იყენებენ სქელი კონსისტენციის გამთბარ ტალახს (26—44°C), რ-საც უსვამენ ბრეზენტის ტიპის ქსოვილს და ადებენ ან შემოახვევენ დაზიანებულ ორგანოზე (ადგილ. აპლიკაცია) ანდა მთელ სხეულზე თავისა და გულის მიდამოს გარდა (საერთო აპლიკაცია, ტემპ-რა 37—38°C). აბაზანებისათვის იყენებენ თხიერი კონსისტენციის ტალახს. აბაზანაც შეიძლება იყოს ადგილობრივი (სხეულის რომელიმე ნაწილისათვის) ან ჩასაწოლი. აპლიკაციის ხანგრძლივობაა 15—20 *წთ*, ხოლო აბაზანისა — 10—15 *წთ*. ავადმყოფებს პროცედურები ენიშნებათ დღეგამოშვებით, იშვიათად — 4—5-ჯერ კვირაში (როცა ავადმყოფი პროცედურას კარგად იტანს). მკურნალობის კურსია 12—14 პროცედურა.

ტ. მ-ს მიმართავენ სყრდენ-სამოძრაო, სასქესო, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, პერიფერიული ნერვული სისტემის, პერიფერიული სისხლძარღვებისა და ზოგიერთი სხვა ორგანოს დაავადებების დროს. შეიძლება ტ. მ-ის შეხამება ბალნეოთერაპიასთან, ფიზიოთერაპიასთან, სამკურნ. ვარჯიშთან და მასაჟთან. ტალახით სამკურნ. კურორტებიდან აღსანიშნავია საქართველოში ახტალა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში — პაარფსალუ, კემერი, ბალდონე; უკრაინაში — მორშინი, სერგეევკა, საკი, ბერდიანსკი; რსფსრ-ში — ანაპა, ლიპეცკი, სლავიანსკი და სხვ. *გ. უშვერიძე.*

ტალახის ვულკანი, სხვადასხვა ფორმის გეოლოგიური წარმონაქმნი, რ-იც გამუდმებით ან დროდადრო აფრქვევს ტალახს, აერს, ხშირად წყალთან და ნავთობთან ერთად. გვხვდება ნავთობიან და ვულკ. არეებში, აგრეთვე ისეთი მდ-ების დელტებში, რ-ებსაც უხვად მოაქვთ მცენარეული ნაშთები და ნავთობის აფსკიანი წყალი. სსრკ-ში ცნობილია კასპიის ზღვის სანაპიროზე, ტამანისა და ქერჩის ნ.-კ-ებზე, აღმ. საქართველოში (ახტალა, ფხოველი, კილა-კუპრა და სხვ.); საზღვარგარეთ — იტალიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, ცენტრ. ამერიკაში და სხვ.

ტალეირანი, ტ ა ლ ე ი რ ა ნ-პ ე რ ი გ ო რ ი (Talleyrand-Périgord) შარლ მორის (13. II. 1754, პარიზი, — 17. V. 1838, იქვე), ბენევენტოს თავადი (1806—15), დინოს პერცოგი (1817-იდან), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1788—91 ოტენის ეპისკოპოსი, 1789 გენერალური შტატების დეპუტატი სას. წოდებიდან, მიემხრო მესამე წოდებას. მონარქიის დამხობის შემდეგ (1792) ემიგრაციაში იყო, ვინაიდან გამომჟღავნდა მისი საიდუმლო კავშირი სამეფო კართან. საფრანგეთში დაბრუნდა 1796 *დირექტორიის* დროს. 1797—99 საგარეო საქმეთა მინისტრი, ხელი შეუწყო *თვრამეტი ბრიუმერის* (1799) გადატრიალებას. კონსულობისა და იმპერიის წლებში კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრია. 1808 საიდუმლო კავშირი დაამყარა რუს. იმპ. ალექსანდრე I-სა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრ *მეტერნიხთან*. ნაპოლეონ I-ის დამარცხებისა და პარიზში ანტიფრანგ. კოალიციის ჯარების შესვლის (1814 წ. 31 მარტი) შემდეგ შეადგინა და სათავეში ჩაუდგა დროებით მთავრობას (რ-შიც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც ეკავა), ხელი შეუწყო ბურბონთა რესტავრაციას. *ვენის კონგრესზე* (1814—15) მეთაურობდა საფრ. დელეგაციას, დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა გამოიყენა საფრანგეთის სასარგებლოდ. ხელი შეუწყო ვენის საიდუმლო ხელშეკრულების (1815) დადებას, რ-იც ანტიფრანგ. კოალიციის დაშლას მოასწავებდა. 1830—34 ელჩად იყო ლონდონში.

ტ. იყო ე. წ. კლასიკური დიპლომატიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, „ჭველა ბატონის მსახური", მოქნილი პოლიტიკოსი და ინტრიგების უბადლო ოსტატი. გამოირჩეოდა გამჭრიახობითა და დიდი ანგარებით, იღებდა ქრთამს ყველასაგან, ვისაც მისი დახმარება ესაჭიროებოდა.

თხზ.: Мемуары, М., 1959.

ტალერი, ვერცხლის მონეტა. პირველად 1518 მოჭრეს ჩეხიაში. 1555-იდან ფულის ერთეულად იყენებდნენ „სალვთო რომის იმპერიაში", აგრეთვე პოლონეთში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში და სხვ. თავდაპირველად შეიცავდა 28—29 გ სუფთა ვერცხლს; 1857 ჩრდ. გერმანიასა და ავსტრიაში ტ-ის მასა შეადგენდა 16,67 გ-ს. 1871 — 73, გერმანიაში ფულის რეფორმების დროს, ტ. გაუთანაბრეს 3 ოქროს მარკას. ტ-ის მოჭრა შეწყვეტილი იყო 1908-მდე, შემდგომ კი ისევ აღადგინეს 3 მარკის ნომინალური ღირებულებით.

ტალერი, სოფელი გეგეჭკორის რ-ნში, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., ეწერი, ნობულეთი, პატარა ბჩე). ზ. დ. 310 *მ*, გეგეჭკორიდან 25 *კმ*. დიდი ჭყონის მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა და ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ტალვეგი (გერმ. Talweg <Tal — ხეობა და Weg — გზა), ხეობის, ხრამის ან ხევის ყველაზე დაბალი, ღერძული ნაწილი.

ტალი მიხეილ ნეხემის ძე (დ. 9. XI. 1936, რიგა), საბჭ. მოჭადრაკე. საბჭ. და საერთაშ. დიდოსტატი (1957). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1961). განათლებით ჟურნალისტი. 1958 დაამთავრა ლატვ. უნ-ტი, სსრკ ჩემპიონი (1957, 1958, 1967, 1972, 1974, 1978), მსოფლიოს ჩემპიონი (1960—61, მ. ბოტვინიკთან მატჩის მოგების შემდეგ). სსრკ ნაკრები გუნდის წევრი მსოფლიოს 8 ოლიმპიადისა (1958—83) და ევრ. 6 ჩემპიონატში (1957—80). გაიმარჯვა საზონათაშორისო (1958, 1979), პრეტენდენტთა (1959) და სხვა მრავალ საერთაშ. ტურნირში: ციურიხში (1959), ბლედში (1961), ჰაისტინგზში (1963—64, 1973—74), სარაევოსა და პალმაში (კ. მალიორკა, 1966), ტალინში (1971, 1973, 1977, 1981), ბევერვეიკში (1973). სოჭში — ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში (1973). მონრეალში (1979), მალაგაში (1981), ლვოვში (1981), კელნში (1982), ერევანში (1982), პაულ კერესის მემორიალში (ტალინი, 1983. რ. ვაჰანიანთან ერთად და სხვ. 1960 — 70 ჟურნ. „შახმატის" (რიგა) რედაქტორი. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Матч Ботвинник—Таль, Рига, 1961.

ლიტ.: Васильев В. Л., Загадка Таля.—Второе „я" Петросяна, М., 1973; Кобленц А., Дорогами шахматных сражений, Рига, 1963.

ტალი (ჰოლანდ. talie), საკიდი ტვირთამწევი მოწყობილობა, რ-საც აქვს ხელის, ელექტრული ან პნევმატიკური ამძრავი; შედგება ჯალამბრისა და ურიკისაგან. ხ ე ლ ი ს ტ. (ტვირთამწეობა — 0,1—10 ტ) არის სტაციონარული ან მოძრავი. ე ლ ე ქ ტ რ უ ლ ი ტ-ის ტვირთამწეობაა 0,25—10 ტ, აწევის სიმაღლე — 4—30 *მ*, ტვირთის აწევის სიჩქარე — 8—20 *მ/წთ*, მოძრაობის სიჩქარე — 20—30 *მ/წთ*. აქვს ერთ- ან ორრელსიანი სამოძრაო ლიანდაგი, ისრები, დახრა — 2°-მდე. ისეთ ელექტროტალს, რ-საც ერთრელსიანი ურიკა აქვს, *ტელფერი* ეწოდება. პ ნ ე ვ მ ა ტ ი კ ურ ტ-ს (ტვირთამწეობა 0,1 ტ) იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა წარმოების პირობებში შეუძლებელია ელექტროენერგიის გამოყენება.

ტალია (ფრანგ. taille), მუდმივი, პირდაპირი გადასახადი XV—XVIII სს. საფრანგეთში. თავდაპირველად ტ. ყმა-გლეხის სენიორული გადასახადი იყო (taille seigneuriale). ლუი IX-ის (1226—70) მეფობის დროს შემოიღეს დროებითი ტ., რ-იც მუდმივი არმიის შექმნის შემდეგ 1439 ორდონანსით მუდმივი გადასახადი გახდა. ტ. ორი სახისა იყო: ჩრდ. საფ-

რანგეთში ე. წ. პირადი ტ. (taille personnalle), რ-საც იხდიდნენ მესამე წოდების წარმომადგენლები, და სამხრ. საფრანგეთში „რეალური", ანუ „ქონებრივი" ტ. (taille reelle), რ-ითაც იბეგრებოდა არათავადაზნაურული სტატუსის მქონე მიწა, მფლობელის წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად. XVII—XVIII სს-ში ტ-ს ძირითადად გლეხები იხდიდნენ. გააუქმა საფრ. დიდმა რევოლუციამ.

ტალიაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (დ. 1. I. 1912, სოფ. ქვემო მაჩხაანი, ახლანდ. სიღნაღის რ-ნი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი (1939). იყო სოხუმის (1940—41), გორის (1943—49), ქუთ. (1949—51) პედ. ინ-ტების რუს. ლიტ-რის კათედრის გამგე; ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის რექტორი (1952—61), 1953—57 და 1961-იდან ამავე ინ-ტის რუს. ლიტ-რის კათედრის გამგე. ტ-ის ძირითადი ნაშრომები: „ლევ ტოლსტოი და საქართველო" (1951), „ნ. გოგოლი ქართულ ლიტერატურაში" (1952, ორივე რუს. ენაზე), „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი" (1967, რუს. ენაზე); „რუსული ლიტერატურის ისტორია" (ნაწ. I, 1969, თანაავტორი ვ. შადური), „რუსული ლიტერატურის ისტორია" (1978, თანაავტორი ვ. შადური); მონოგრაფიები: „ნ. ვ. გოგოლი" (1952, თანაავტორი ვ. შადური), „ა. პ. ჩეხოვი" (1960), „მ. ვ. ლომონოსოვი" (1962). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

ტალიზინი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (დ. 28. I. 1929, მოსკოვი), საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1960-იდან. ტექ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1976). 1955 დაამთავრა მოსკ. კავშირგაბმ. ელექტროტექ. ინ-ტი. 1965—75 სსრკ კავშირგაბმ. მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე, 1975—80 მინისტრი, 1980 ოქტ.-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე, სსრკ მუდმივი წარმომადგენელი ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოში. სსრკ სახელმწ. პრემია (1968, 1975). სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1976—81), წევრი (1981-იდან). სსრკ X—XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ტალინი (ყოფ. რეველი), ესტ. სსრ დედაქალაქი. დიდი ინდუსტრ., სამეცნ. და კულტ. ცენტრი, სატრანსპ. კვანძი, საზღვაო ნავსადგური. გაშენებულია ფინეთის ყურის სამხრ. სანაპიროზე. ქალაქის უმეტესი ნაწილი ზღვისპირა დაბლობია. ჰავა ზღვისაა. თებ. საშ. ტემპ-რა —5,8°C, იელ. —16,4°C. ნალექები 600 *მმ*-მდე წელიწადში. გაბატონებულია დას. და სამხრ.-დას. ქარი. 454 ათ. მცხ. (1983; 1959 წ. — 282 ათ., 1970 წ.—361 ათ., 1979 წ. — 430 ათ.). ქალაქი იყოფა 4 ადმ. რ-ნად.

ისტორიული ცნობა. არქეოლ. მონაცემებით, X ს-ში ძვ. ესტებმა ტოომპეაზე ააგეს გამაგრებული ციხესიმაგრე (ვიშგოროდი), შემდეგ მის ძირში აღმოცენდა დასახლება — ქვემო ქალაქი. პირველად იხსენიება 1154. რუს. წყაროებში ეწოდებოდა კოლივანი. 1219-იდან დაიპყრეს დანიელებმა და უწოდეს რევალი (რეველი). ესტონელებმა ეს სახელი არ მიიღეს და უწოდეს ტალინი (<Taani linna — ქალაქი). 1230 მიიღო ლიუბეკის საქალაქო სამართალი. 1285 შევიდა ჰანზის კავშირში. 1346 დანიამ ტ. მიჰყიდა *ტევტონთა ორდენს*, რ-მაც იგი *ლივონიის ორდენს* გადასცა. ლივონიის ორდენის დაშლის შემდეგ ტ. შვეციის ქვეშევრდომი გახდა. ჩრდილოეთის ომის (1700—21) დროს ტ-ის მაგისტრატი და აზნაურობა პეტრე I-ის ჯარს დანებდა და მთელ ესტონეთთან ერთად შევიდა რუს. იმპერიის შემადგენლობაში. 1870 გაიხსნა ტალინ—პეტერბურგის რკინიგზა. ტ. რუს. მსვილი სამრეწვ. ცენტრი და ერთ-ერთი დიდი ნავსადგური გახდა. XX ს. დამდეგს ტ-ში აღმოცენდა მარქსისტული წრეები. 1901—04 აქ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა მ. კალინინი. 1904 შეიქმნა რსდმპ კომიტეტი. ტ-ის პროლეტარიატი აქტიურად მონაწილეობდა 1905—07 რევოლუციაში. 1917 წ. 3 (16) მარტს ტ-ში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო; ჩამოყალიბდა წითელი გვარდია. შეიქმნა სამხ. რევკომი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.). ესტ. ბურჟუაზიამ უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით შეძლო საბჭ. ხელისუფლების დამხობა (1918 წ. 28 თებ.). 1918 ნოემბრიდან ტ. ბურჟ. ესტ. დედაქალაქია. 1940 წ. 21 ივნ. ბურჟ. მთავრობა დაემხო და ტ-ში, ისევე როგორც მთელს ესტონეთში, აღდგა საბჭ. ხელისუფლება. 1940 წ. 6 აგვ. ესტონეთი მიიღეს სსრ კავშირში, ტ· ესტ. სსრ დედაქალაქი გახდა. დიდი სამამული ომის (1941—45) დასაწყისში საბჭ. არმია და ფლოტი გმირულად იცავდა ტ-ს. ქალაქი გაანთავისუფლეს საბჭ. ჯარებმა 1944 წ. 22 სექტ. ტ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1970).

ეკონომიკა. ტ-ის მრეწველობაში წამყვანია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. სწრაფად ვითარდება ელექტრონული, ელექტროტექ., ხელსაწყოთმშენი, ქიმ., სატყეო, ხე-ტყის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობა. განვითარებულია საფეიქრო, სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, საკონდიტრო, თევზის, ხორცის მრეწველობა. ტ-ის საზღვ. სავაჭრო ნავსადგური ერთ-ერთი უდიდესია სსრკ-ში. აეროპორტი.

არქიტექტურა. ქალაქის დაგეგმარებით სტრუქტურაში ცენტრ. ადგილი უჭირავს შუა საუკ. განაშენიანებას (ძვ. ქალაქი), რ-იც შედგება 2 ნაწილისაგან: ტოომპეაზე მდებარე ზემო ქალაქის—ვიშგოროდისაგან (ციხე-დარბაზი, XIII ს. და XIV—XVI სს.; დომის ტაძარი, XIII—XV სს. და სხვ.) და ქვემო ქალაქისაგან (თავდაცვითი ნაგებობანი, შუა საუკ. ქუჩები, XIV—XVII სს. ხელოვნ. მრავალი ძეგლი, გოტიკური ეკლესიები, საცხოვრ. სახლები და სხვ.). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს დანგრეული ქალაქი აღდგენილია, განაშენიანდა ახ. საცხოვრ. რ-ნები. ქალაქის ახ. ცენტრი ვითარდება კოპლის ყურის მიმართულებით. ძვ. ქალაქი გამოცხადებულია (1966-იდან) სახელმწ. დაცვის ზონად. ტ-ში აშენდა მრავალი ახ. ნაგებობა: სასიმღერო ესტრადა (1960, არქიტ. ა. კოტლი და სხვ.), ესტ. კომპარტიის ცკ-ის შენობა (1968, არქიტ. ზ. პორტი და სხვ.). ძეგლები: ვ. ი. ლენინის (ბრინჯაო, გრანიტი, 1950, მოქანდაკე ნ. ტომსკი, არქიტ. ა. კოტლი), „ლინდა" (ბრინჯაო, გრანიტი, 1920, მოქანდაკე ა. ეიცენბერგი), 1944 ტ-ის განთავისუფლებისათვის დაღუპულ საბჭ. არმიის მეომართა ძეგლი (ბრინჯაო, ქვა-ფილა, 1947, მოქანდაკე ე. როოსი, არქიტ. ა. ალასი) და სხვ.

კულტურული მშენებლობა. 1980 ტ-ში იყო 160-ზე მეტი სკოლამდელი დაწესებულება (30 ათ.აღსაზრდელი), ყველა სახის 70-ზე მეტი ზოგადსაგანმან. სკოლა (60 ათ-მდე მოსწ.), 10 სკოლისგარეშე დაწესებულება, 10-ზე მეტი პროფტექ. სასწავლებელი (5 ათ-მდე მოსწ.), 12 საშ. სპეც. სასწავლებელი (14 ათ-მდე მოსწ.) და 4 უმაღლესი სასწავლებელი (12,5 ათ. სტუდენტი).

ტ-ში არის *მეცნიერებათა აკადემია ესტონეთის სსრ-ისა* და მისი ინ-ტების უმრავლესობა, ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტების განყ-ებები და ფილიალები; 47 მასობრივი ბ-კა (1700 ათ. წიგნი და ჟურნალი), ფ. კრეიცვალდის სახ. ესტ. სსრ სახელმწ. ბ-კა; 13 მუზეუმი და მათი ფილიალები, 5 თეატრი, ფილარმონია, კინოსტუდია „ტალინფილმი", 27 საკლუბო დაწესებულება, 18 კინოდანადგარი; წიგნის რესპ. გამომცემლობანი, ესტ. საბჭ. ენციკლოპედიის რედაქცია და სხვ.; გამოდის 10 რესპ., 2 საქალაქო გაზეთი, 25 ჟურნალი; არის რესპ. რადიო და ტელევიზია, ტელეცენტრი, ესტ. დეპეშათა სააგენტო.

ჯანმრთელობის დაცვა. 1975 ტ-ში იყო 32 საავადმყოფო დაწესებულება (5 ათ. საწოლი), მუშაობდა 2,3 ათ. ექიმი (1 ექიმი 180 მცხოვრებზე) და 5,2 ათ. საშ. სამედ. მუშაკი. არის სანატორიუმები. ტ. ტურიზმის პოპულარული ობიექტია.


ტალინის აკადემიური დრამატული თეატრი ვ. კინგისეპის სახელობისა, ესტონეთის წამყვანი დრამ. თეატრი. შეიქმნა 1916. ინიციატორები იყვნენ თეატრ „ვანემუინეს" მსახიობები. როგორც დრამ. თეატრი 1918-იდან მუშაობდა სხვადასხვა სახელწოდებით, 1949-იდან ტალინის დრამ. თეატრია, 1952 მიენიჭა ვ. კინგისეპის სახელი, 1957 — აკადემიურობის წოდება. დაიდგა: შექსპირის „ანტონიუს და კლეოპატრა" (1955), ტამსაარეს „ბანკროტი" (1964), ვეტემაას „ვარდისფერი ბაღი" (1976) და სხვ. თეატრის დასში არიან (1977): სსრკ სახ. არტისტები ა. ტალვი, კ. კარმი, ი. იარვეტი, მთავარი რეჟისორი (1976-იდან) ესტ. სსრ დამს. არტისტი ზ. მიკივერი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1966).

ტალინის ოპერაცია 1944, ლენინგრადის ფრონტის ჯარებისა და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ძალების შეტევა ესტ. სსრ და მისი დედაქალაქის ტალინის განსათავისუფლებლად 17—26 სექტ., დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. საბჭ. ჯარებს წინააღმდეგობას უწევდა გერმ. ფაშისტთა ოპერატიული ჯგუფი „ნარვა". უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის ჩანაფიქრით, ლენინგრ. ფრონტს (სარდალი საბჭ. კავშირის მარშალი ლ. გოვოროვი) უნდა დაერტყმა რაკვერეს მიმართულებით, გასულიყო მტრის დაჯგუფების ზურგში და ბალტიის ფლოტის ძალების (სარდალი ადმ. ვ. ტრიბუცი) მხარდაჭერით ტალინისათვის შეეტია. 17 სექტ. შეტევაზე გადავიდა მე-2 დამრტყმელი არმია და მტრის თავდაცვა გაარღვია. ჩუდის ტბის დას. სანაპიროს გასწვრივ უტევდა მე-8 ესტ. მსროლელი კორპუსი. გერმ. ფაშისტთა ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს. 20 სექტ. მოწინავე რაზმებმა ხელთ იგდეს რაკვერე. 22 სექტ. მე-8 არმიამ გააღავისუფლა ტალინი, 24 სექტ. — ჰააფსალუ, 24 სექტ. საზღვ. ქვეითი ჯარის დესანტმა — პალდისკი, 23 სექტ. მე-2 დამრტყმელმა არმიამ — პიარნუ და ვილიანდი. 26 სექტ-თვის განთავისუფლებულ იქნა ესტ. სსრ მთელი ტერიტორია.

ტალინის სამხატვრო მუზეუმი, ესტ. სსრ სამხატვრო მუზე-



ტალინი. ლიუბიკე-ალგის ეზო.



ტალინი. რადიოს სახლი. 1972. არქიტექტორები ა. ეიგი, ი. იამა.



ზ. ტალიონი.

ტალღა

ტალღის გავრცელების მიმართულება

ნაწილაკების ნანაცვლებათა მიმართულება


ა

ტალღის გავრცელების მიმართულება


ნაწილაკების ნანაცვლებათა მიმართულება

ბ


ნახ. 1. ა—გასწვრივი ტალღა; ბ—განივი ტალღა.



ნახ. 2. ა—ცალკეული ტალღა; ბ—ტალღების წყებაი; გ—უსასრულო სინუსოიდური ტალღა.



ნახ. 3. ორ სხვადასხვა წერტილში აღძრული ტალღების ინტერფერენცია წყლის ზედაპირზე.



ნახ. 4. ტალღის დაცემის დროს ჩრდილის წარმოქმნა: ა—გაუმჭვირ სხვეულზე; ბ—გაუმჭვირ ეკრანის ხვრელზე (*d* სხეულის ან ხვრელის ზომაა).

უ მ ი (1970-იდან), უდიდესი სამხატვრო მუზეუმი ესტონეთში. დაარსდა ესტ. ხალხ. მუზეუმის ტალინის განყ-ბის ბაზაზე, რ-იც 1919 დამოუკიდებელი გახდა, თავდაპირველად ეთნოგ., შემდეგ სამხატვრო მუზეუმი (1928—40 ესტ. სამხატვრო, მუზეუმი). მუზეუმში თავმოყრილია XIX—XX სს. და საბჭ. პერიოდის ესტ. მხატვართა ნამუშევრები, აგრეთვე დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. ნიმუშები. ტ. ს. მ. მოთავსებულია კადრიორგის სასახლეში (1718—25, არქიტ. ნ. მიკეტი, მ. ზემცოვი; ბაროკო).

„ტალინფილმი“, ესტონეთის საბჭ. მხატვრული და დოკუმენტური ფილმების სტუდია. შეიქმნა ტალინში საბჭ. ხელისუფლების აღდგენის შემდეგ (1940). თავდაპირველად იყო ქრონიკალური და დოკუმენტური ფილმების სტუდია. დიდი სამამულო ომის დროს მუშაობდა „ლენფილმისა“ და „მოსფილმის“ ბაზაზე. 1944 სტუდიამ განაახლა მოღვაწეობა. 1954-იდან დაიწყო მხატვრული ფილმების გამოშვება. ახლნად. სახელწოდებას ატარებს 1963-იდან. იხ. ილუსტრაციები *ესტონეთის სსრ*, თავი კინო.

ტალიონი (Taglioni) მარია (23. IV. 1804, სტოკჰოლმი, — 22. IV. 1884, მარსელი), იტალიელი ბალეტის მსახიობი. რომანტიზმის ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო ბალერინა. სწავლობდა მამამისთან, ცნობილ ბალეტმაისტერ ფ. ტალიონისთან. ტ-ს ცეკვა გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიფაქიზითა და გრაციით, მან დაამკვიდრა გამომსახველობის ახ. ხერხები, მ. შ. ცეკვა პუანტებზე (ფეხის წვეერებზე). ტ-ს საბალეტო რეფორმას ხელს უწყობდა მხატვარ ე. ლამის მიერ შესრულებული მსუბუქი, ჰაეროვანი კოსტიუმიც. 1837—42 ყოველწლიურად გამოდიოდა პეტერბურგში. გასტროლებს მართავდა ლონდონში (1845 ჟ. პეროს ტ-თვის ჩ. პუნის მუსიკაზე შექმნა ბალეტი „პა-დე-კატრი“, ხოლო 1846 — „პარიზის სამსჯავრო“). 1847 ტ-მ დატოვა სცენა.

ტალიონი (<ლათ. talio, ნათ. ბრ. talionis — დანაშაულის თანაბარზომიერი მისაგებელი), სასჯელის პრინციპი, რ-იც წარმოიშვა გვაროვნულ საზ-ბაში და გავრცელდა მონათმფლობელურსა და ფეოდალურ სამართალში. გამოიხატებოდა ფორმულით: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ —დამნაშავეს ზუსტად იმას მიუზღავდნენ, რა ვნებაც მიაყენა მან დაზარალებულს. ტ. *სისხლის აღების* შეზღუდვისაკენ იყო მიმართული. იგი ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული *ხამურაბის კანონებში*. ტ-ის იდეები აისახა ფილოს. აზრის ზოგიერთ მიმართულებაში, აგრეთვე სისხლის სამართ. ბურჟ. მეცნიერებაში.

ტალიცა, ქალაქი რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, მდ. პიშმის (ობის აუზი) მარჯვ. ნაპირზე. ტალიცის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. ტალიციდან 6 *კმ*. განვითარებულია სატყეო, მსუბუქი და მიკრობიოლოგიური მრეწველობა. სატყეო-ტექ. ტექნიკუმი.

ტალკა (Talca), ქალაქი ჩილეში, გასწვრივ ხეობაში. ტალკის პროვ. ადმ. ცენტრი. 128 ათ. მცხ. (1980). სარკინიგზო კვანძი. ასანთის, ფეხსაცმლის, ქაღალდის, საკონდიტრო, სპირტ-არაყის, საფქვავი, სამსხმელო საწარმოები. ტ-ის მახლობლად არის აეროპორტი. ტ. დაარსდა 1692.

ტალკაუანო (Talcahuano), ქალაქი ჩილეში, კონსეფსიონის პროვინციაში. 186 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური წყნარი ოკ. სანაპიროზე. მანქანათსაშ., ნავთობქიმ., კეების მრეწვ. საწარმოები. თევზსაჭერი ცენტრი. ტ-ს მახლობლად — ჩილეში ერთადერთი შავი მეტალ. დიდი კომბინატი. აეროპორტი.

ტალ-კვესი, კ ვ ე ს ა ბ ე დ ი, რკინის ან ფოლადის ოთხკუთხა ან მომრგვალებული ფორმის იარაღი, რ-იც იხმარებოდა კაჟის ნატეხიდან ნაპერწკლის მისაღებად გვერდულად ჩამოკვრის საშუალებით. ნაპერწკლით ცეცხლი ეკიდებოდა კაჟზე დადებულ აბედზე, საიდანაც ის გადაჰქონდათ სხვა საწვავზე. ტ.-კ. გაჩნდა და გავრცელდა რკინის იარაღად გამოყენების ხანიდან და შემორჩა ასანთის შემოსვლამდე (XIX ს.). ყოფაში გვხვდებოდა XX ს. I ნახევარშიც. ტ.-კ-ს ატარებდნენ ქამარზე ჩამოკიდებულ ქისაში კაჟთან და აბედთან ერთად. ზოგჯერ ამავე ქისაში თამბაქოც ეყარა.

ტალკი, სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Mg_3[Si_4O_{10}](OH)_2$, Mg-ს ჩაენაცვლება Fe, Ni, Al, Cr. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. აგრეგატები ფურცლოვანი ან მკვრივი წვრილმარცვლოვანი აქვს. თეთრი ან სხვადასხვა ელფერის მწვანეა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 1; სიმკვრივე 2776—2824 *კგ/სმ*^{3}. წარმოიქმნება ულტრაფუძე ქანების ჰიდროთერმული გარდაქმნის ან კაჟმიწიანი დოლომიტების მეტამორფიზმის გზით. იყენებენ რეზინის, ქაღალდის, ლაქ-საღებავების წარმოებაში შემავსებლად, აგრეთვე სამედ. და საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ მრეწველობაში, კერამიკასა და სხვა დარგებში. მასიური ტ., რ-იც არ შეიცავს რკინას — ს ტ ე ა ტ ი ტ ი — სანახელავო ქვაა. ტ-ის შესუნთქვამ შეიძლება გამოიწვიოს ტ ა ლ კ ო ზ ი — პნევმოკონიოზების ჯგუფის დაავადება, რ-იც აღინიშნება ტ-ის მომპოვებელ და გადამმუშ. საწარმოთა. აგრეთვე რეზინისა და პარფიუმერიის მრეწვ. მუშებს შორის. პროფილაქტიკა — შრომის მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მტვერსაწინააღმდეგო ხელსაწმენდების, რესპირატორების გამოყენება და სხვ.

ტალმა (Talma) ფრანსუა ჟოზეფ (15. I. 1763, პარიზი, — 19. X. 1826, იქვე), ფრანგი მსახიობი. დაამთავრა პარიზის დეკლამაციისა და სიმღერის სკმეფო სკოლა. ტ-ს დებიუტი შედგა 1787 თეატრ „კომედი ფრანსეზში“. 1806-იდან იყო პარიზის კონსერვ. დრამ. კლასის პროფესორი. 1791 მეთაურობდა რეეოლუციურად განწყობილ მსახიობთა დასს, რ-მაც დატოვეს „კომედი ფრანსეზი“ და შექმნეს „რესპუბლიკის თეატრი“. 1799 დაბრუნდა „კომედი ფრანსეზში“. ტ-ს შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეჭირა შექსპირის ტრაგედიის გმირებს: მაკბეთს, ოტელოს, ჰამლეტს („მაკბეთი“, „ოტელო“, „ჰამლეტი“).

ტალნოე, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ ჩერკასის ოლქში, მდ. გორნი-ტიკიჩის (სამხრეთი ბუგის აუზი) ნაპირზე. ტალნოეს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. არის რძის საკონსერვო, პურის პროდუქტების კომბინატები, ლითონის ნაკეთობათა, საშენ მასალათა, ღორღის, შაქრისა და სხვა ქ-ნები. სამშენებლო ტექნიკუმი.

ტალსა (Tulsa), ქალაქი აშშ-ში, ოკლაჰომის შტატში, მდ. არკანზასის ნაპირზე. 356 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 679 ათ. (1980). საავტ. გზების კვანძი. ნავთობაირმომპოვებელი რ-ნის სამრეწვ. და საფინანსო ცენტრი. ნავთობისა და აირის გადამუშავება. რადიოელექტრონული, მანქანათსაშ., საავიაციო, ქიმ., საფეიქრო მრეწვ. საწარმოები. ნავთობაირსადენების კვანძი. უნ-ტი.

ტალღა, გარემოს მდგომარეობის ცვლილება (შეშფოთება), რ-იც ვრცელდება გარემოში და გადააქვს ენერგია. მაგ., დარტყმით გამოწვეული ადგილ. შეკუმშვა ვრცელდება ფოლადის ღეროს გასწვრივ ≈5 *კმ/წმ* სიჩქარით. ეს არის დრეკადი **ტ.** დრეკადი ტ-ები აღიძვრება მყარ სხეულებში, სითხეებსა და აირებში. ბგერითი და *სეისმური ტალღები* დედამიწის ქერქში დრეკადი ტ-ების კერძო შემთხვევაა. *ელექტრომაგნიტურ ტალღებს* განეკუთვნება რადიოტალღები, სინათლე, რენტგენის სხივები და სხვ. ყველა ტ-ის ძირითადი მახასიათებელი თვისება, მათი ბუნებისაგან დამოუკიდებლად, იმაში მდგომარეობს, რომ ტ-ის სახით ხდება ენერგიის გადატანა ნივთიერების გადატანის გარეშე.

შეშფოთებისა და ტ-ის გავრცელების მიმართულებათა ურთიერთორიენტაციის მიხედვით განასხვავებენ თრგუარ ტ-ს. თუ შეშფოთების მიმართულება ემთხვევა ტ-ის გავრცელების მიმართულებას, ტ-ს უწოდებენ გ ა ს წ ვ რ ი ვ ს, ხოლო, თუ იგი ვრცელდება შეშფოთების მიმართულების მართობულად — გ ა ნ ი ვ ს. გასწვრივი ტ-ების მაგალითია ბგერითი ტ., რ-შიც გარემოს ნაწილაკები ირხევა ტ-ის გავრცელების მიმართულების პარალელურად. განივი ტ-ის მაგალითია ტ., რ-იც ვრცელდება სიმის გასწვრივ (ნახ. 1ა, 1ბ). სითხეებსა და აირებში დრეკადი ძალები აღიძვრება მხოლოდ შეკუმშვის დროს, ძვრის დეფორმაციის დროს კი — არა. ამიტომ სითხეებსა და აირებში დრეკადი დეფორმაცია შეიძლება მხოლოდ გასწვრივი ტ-ის სახით გავრცელდეს. გამონაკლისია ზედაპირული ტ., რ-იც წარმოიშობა სითხის ზედაპირზე ან შეურევი სითხეების გამყოფ ზედაპირზე. ამ დროს სითხის ნაწილაკები ერთდროულად ასრულებენ გასწვრივ და განივ რხევებს და აღწერენ ელიფსურ ან უფრო რთულ ტრაექტორიებს. მყარ სხეულებში დრეკადი ძალები აღიძვრება ძვრის დეფორმაციის დროსაც, ამიტომ მყარ სხეულებში დრეკადი დეფორმაცია შეიძლება გავრცელდეს როგორც გასწვრივი, ისე განივი ტ-ების სახით.

ელექტრომაგნ. ტ-ში, რ-იც ცარიელ სივრცეში ვრცელდება, ელექტრული და მაგნ. ველების მიმართულებები თითქმის ყოველთვის მართობულია ტ-ის გავრცელების მიმართულებისა. ამიტომ ელექტრომაგნ. ტ. თავისუფალ სივრცეში განივ ტ-ს წარმოადგენს.

ტ-ების ზოგადი მახასიათებლები და თვისებები. ტ. შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს. ცალკეულ ტ-ს ან ი მ პ ულ ს ს უწოდებენ არარეგულარული ხასიათის შედარებით მოკლე შეშფოთებებს (ნახ. 2ა). განმეორებადი შეშფოთებების შემთხვევაში ტ-ის წ ყ ე ბ ს უწოდებენ. ჩვეულებრივ, წყების ცნებას იყენებენ შემოსაზღვრული სინუსოიდური ტ-ებისთვის (ნახ. 2ბ). ტ-ების თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ჰარმონიულ ტ-ებს — უსასრულო და სინუსოიდურ ტ-ებს, რ-ებშიც გარემოს მდგომარეობის ყოველგვარი ცვლილება მიმდინარეობს სინუსის ან კოსინუსის კანონით (ნახ. 2გ). ჰარმონიული ტ-ების ძირითადი მახასიათებლებია λ ტ-ის ს ი გ რ ძ ე (მანძილი შეშფოთების ორ მეზობელ მაქსიმუმს ან მინიმუმს შორის) და ტ-ის *T* პ ე რ ი ო დ ი (დრო, რ-ის განმავლობაშიც გარემოს ნაწილაკები ასრულებენ ერთ სრულ რხევას). ამრიგად, უსასრულო ჰარმონიული ტ. ხასიათდება მკაცრი პერიოდულობით სივრცესა და დროში. ტ-ის სიგრძესა და პერიოდს შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა. ვინაიდან ტ-ის სიგრძე უდრის მისი გავრცელების დროს პერიოდის განმავლობაში გავლილ მანძილს, λ/T ფარდობა წარმოადგენს ტ-ის გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს ს ი ჩ ქ ა რ ე ს (*v*). პერიოდის ნაცვლად ხშირად სარგებლობენ ν ს ი ხ შ ი რ ი თ, რ-იც უჩვენებს რამდენჯერ თავსდება პერიოდი დროის ერთეულში; $\nu=1/T$. თანაფარდობები λ, *T* (ან ν) და *v* სიდიდეებს შორის: $\lambda/T=\lambda\nu=v$ მართებულია ნებისმიერი ბუნების ჰარმონიული ტ-ებისათვის. ტ-ის თეორიაში ხშირად სარგებლობენ აგრეთვე *ტალღური ვექტორის* ცნებით. ტ-ის მნიშვნელოვანი მახასიათებელია აგრეთვე *ტალღის ფრონტი*.

ჰარმონიული ტ. ამპლიტუდა და ფაზა. ჰარმონიულ ტ-ში მერხევი *s* სიდიდე სინუსის (ან კოსინუსის) კანონით

იცვლება დროში და სივრცის ნებისმიერ წერტილში აიწერება $s=A\sin 2\pi t/T$ ფორმულით (იხ. *რხევა*). წონასწორობის მდებარეობაში s სიდიდე მიღებულია ნულის ტოლად. A სიდიდეს, რ-იც უდრის s მნიშვნელობას წონასწორობიდან უდიდესი გადახრის დროს, ტ-ის ამპლიტუდას უწოდებენ. ნებისმიერ სხვა წერტილში, რ-იც საწყისი წერტილიდან r მანძილითაა დაშორებული ტ-ის გავრცელების მიმართულებით, რხევა მიმდინარეობს იმავე კანონით, მხოლოდ $t_1=r/v$. დროის დაგვიანებით, რაც შეიძლება შემდეგი სახით ჩაიწეროს.
$s=A\sin(2\pi/T)\,(t-t_1)=A\sin(2\pi/T)\,(t-r/v)$
$\varphi=(2\pi/T)(t-r/v)$ გამოსახულებას უწოდებენ ტ-ის ფაზას.

ენერგიის გადატანა სივრცეში, რაც დაკავშირებულია ტ-ის გავრცელებასთან, რაოდენობრივად ხასიათდება ენერგიის ნაკადის I ვექტორით. ამ ვექტორს დრეკადი ტ-ებისათვის უწოდებენ უმოვის ვექტორს, ხოლო ელექტრომაგნ. ტ-ებისათვის — პოინტინგის ვექტორს. უმოვის ვექტორის მიმართულება ემთხვევა ენერგიის გადატანის მიმართულებას, მისი აბსოლ. მნიშვნელობა კი უდრის ენერგიას, რ-იც გადააქვს ტ-ს I ვექტორის პერპენდიკულარული სიბრტყის ერთეულ ფართობში დროის ერთეულში. წონასწორობის მდებარეობიდან მცირე გადახრების დროს ენერგიის ნაკადის ვექტორის სიდიდე $I=KA^2$, სადაც პროპორციულობის K კოეფიციენტი დამოკიდებულია ტ-ის ბუნებასა და იმ გარემოს თვისებებზე, რ-შიც ტ. ვრცელდება.

ტ-ების ინტერფერენცია. გარემოს მოცემულ წერტილში ორი ტ-ის მოსვლის შეხთხვევაში მათი მოქმედებები იკრიბება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. კოჰერენტული ტ-ების (ტ-ები, რ-თა ფაზათა სხვაობაც სივრცის მოცემულ წერტილში მუდმივია, არ იცვლება დროში) ზედდება, რ-ის დროსაც ხდება ინტერფერენციის მოვლენა; ტ-ები ერთმანეთს აძლიერებენ იმ წერტილებში, სადაც ისინი მოდიან ერთი და იმავე ფაზით, ხოლო ერთმანეთს ასუსტებენ იმ წერტილებში სადაც საწინააღმდეგო ფაზებით მოდიან, ამის შედეგად მიიღება ე. წ. ინტერფერენციული სურათი (ნახ. 3). იხ. *ინტერფერენცია ტალღებისა*.

ტ-ების დიფრაქცია. თუ ტ. ეცემა გაუმჭვირ სხეულს ან ეკრანს, სხეულის უკან წარმოიქმნება ჩრდილი, რ-ის საზღვრები ყოველთვის მკვეთრი არ არის და თანდათან იშლება სხეულიდან დაშორებისას. ტ-ის მიერ დაბრკოლების გარშემოვლის ამ მოვლენას დიფრაქციას უწოდებენ. სხეულიდან d^2/λ რიგის მანძილებზე, სადაც d სხეულის განივი ზომაა, ჩრდილი პრაქტიკულად სრულადაა წაშლილი. რაც მეტია სხეულის ზომა, მით უფრო მეტ სივრცეს იკავებს ჩრდილი. სხეულები, რ-თა ზომები ტ-ის სიგრძეზე ნაკლებია, საერთოდ არ წარმოქმნიან ჩრდილს. დიფრაქცია ხდება ნახვრეტში ტ-ის გავლისას. ამ შემთხვევაშიც დიფრაქცია გამოიხატება ჩრდილის არეში ტ-ის შეღწევით. რაც უფრო მცირეა ნახვრეტის ზომა ტ-ის სიგრძეზე, მით უფრო ფართოა ის არე, რ-შიც შეიძლება შეაღწიოს ტ-ამ. იხ. *დიფრაქცია* ტალღებისა (ნახ. 4).

ტ-ების პოლარიზაცია. განივ ტ-ში რხევები მიმდინარეობს ტ-ის გავრცელების პერპენდიკულარული მიმართულებით მოთავსებულ სიბრტყეში. განივი ტ-ის თავისებურება განაპირობებს პოლარიზაციის მოვლენის არსებობის შესაძლებლობას, რაც მდგომარეობს ტ-ის გავრცელების მიმართ შეშფოთებების (მაგ., წანაცვლებების ან სიჩქარეებისა — მექან. ტ-ში ან ელექტრული და მაგნ. ველების დაძაბულობებისა — ელექტრომაგნ. ტ-ში) განაწილების სიმეტრიის დარღვევაში.

თუ შეშფოთება ყოველთვის ირხევა ერთი გარკვეული მიმართულებით, ტ. წრფივად პოლარიზებული ანუ ბრტყელად პოლარიზებულია (ნახ. 5ა). თუ შეშფოთების გამომსახველი E ვექტორის ბოლო აღწერს ელიფსს ან წრეწირს, ტ. ელიფსურად პოლარიზებული ანწრიულად პოლარიზებულია (ნახ. 5ბ).

გასწვრივ ტ-ში შეშფოთების მიმართულება ყოველთვის ტ-ის გავრცელების მიმართულების თანხვედნილია, ამიტომ ასეთ ტ-ში პოლარიზაციის მოვლენას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. იხ. *პოლარიზაცია ტალღებისა*.


ტ-ების არეკვლა და გარდატეხა. ორი სხვადასხვა გარემოს გამყოფ ბრტყელ საზღვარზე დაცემისას ბრტყელი ტ. ნაწილობრივ აირეკლება, ნაწილობრივ კი გადადის მეორე გარემოში, ისევ ბრტყელი რჩება, მხოლოდ იცვლის გავრცელების მიმართულებას (გარდატყდება). კუთხეებს, რ-ებსაც ქმნიან დაცემული, არეკვლილი და გარდატეხილი ტ-ები გარემოთა გამყოფი საზღვრის პერპენდიკულართან, შესაბამისად უწოდებენ დაცემის კუთხეს (α), არეკვლის კუთხეს (α') და გარდატეხის კუთხეს (β). არეკვლის კანონის თანახმად, დაცემის კუთხე უდრის არეკვლის კუთხეს ე. ი. $\alpha=\alpha'$. გარდატეხის კანონიხ თანახმად, დაცემის კუთხის სინუსი ისე შეეფარდება გარდატეხის კუთხის სინუსს, როგორც ტ-ის გავრცელების სიჩქარე პირველ გარემოში შეეფარდება მის სიჩქარეს მეორე გარემოში, ე. ი. $\sin\alpha/\sin\beta=v_1/v_2=n_{21}$, სადაც n_{21} გარდატეხის მაჩვენებელია. იხ. აგრეთვე *სინათლის არეკვლა, სინათლის გარდატეხა*.

ტ-ის ფაზური და ჯგუფური სიჩქარე. ტ-ის სიჩქარე, რ-იც ზემოთ იყო განსაზღვრული, წარმოადგენს ფაზურ სიჩქარეს — სიჩქარეს, რ-ითაც გადაადგილდება სივრცეში უსასრულო სინუსოიდური ტ-ის განსაზღვრული ფაზა. ფაზური სიჩქარე შედის გარდატეხის კანონის გამომსახველ ფორმულაში. სინამდვილეში, ბუნებაში ვხვდებით არა უსასრულო სინუსოიდურ ტ-ებს, რ-ებსაც მონოქრომატულ ტ-ებსაც უწოდებენ (ფაზურ სიჩქარეს მხოლოდ ასეთი ტ-ებისათვის აქვს აზრი), არამედ შემოსაზღვრულ ტ-ებს. ნებისმიერი შემოსაზღვრული ტ. შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც დიდი რაოდენობის (უფრო ზუსტად, უსასრულოდ ბევრი) სხვადასხვა სიხშირის მონოქრომატული ტ-ების ჯამი. ინგლ. მეცნ. ჯ. უ. რელეიმ აჩვენა, რომ, თუ შემოსაზღვრული ტ. შედგება ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული სიხშირეების მქონე ტ-გან (ან როგორც მას ხშირად უწოდებენ ტალღური პაკეტისგან), იგი ვრცელდება განსაზღვრული სიჩქარით, რ-საც ჯგუფური სიჩქარე უწოდებენ. ჯგუფური სიჩქარე u გამოითვლება ფორმულით: $u=v-\lambda(dv/d\lambda)$. ჯგუფური სიჩქარით ხდება ტ-ის ენერგიის გადატანა.

ტ-ების გამოსხივებასა და გავრცელებას მრავალი თავისებურება ახასიათებს (იხ. მაგ., *დოპლერის ეფექტი*), ამავე დროს ტ-ების ბუნების მიუხედავად, კანონზომიერებებს, რ-ებსაც ისინი ემორჩილებიან, ბევრი საერთო აქვთ. მაგ., ტ-ების გავრცელება ემორჩილება ერთსა და იმავე *ტალღის განტოლებას*.

გარდა ზემოთ ნახსენები ტ-ებისა, ცნობილია აგრეთვე *ტემპერატურული ტალღა*; ბლანტი ტ. (სწრაფად მილეველი განივი ტ., რ-იც აღიძვრება ბლანტ სითხეებში); *დე ბროილის ტალღები, გრავიტაციული ტალღა*.

ლიტ.: Горелик Г. С., Колебания и волны, 2 изд., М., 1959.





ტალღა. ნახ. 5. ა—წრფივად პოლარიზებული ტალღა; ბ—წრიულად პოლარიზებული ტალღა (E ვექტორი გამოსახავს გავრცელებად შეშფოთებას. 1—რხევის სიბრტყეა).


„ტალღა“, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის გაზეთი, გამოდიოდა 1917 ბათუმში კვირაში 2-ჯერ. რედ.-სარედაქციო კოლეგია. გამოსცემდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბათ. საოლქო კომიტეტი.

ტალღათა თეორია, გერმანელი ენათმეცნიერის იოჰან შმიდტის თეორია (1872), რ-ის მიხედვითაც, ენობრივი ინოვაციები ტალღისებურად, თანდათანობით და უწყვეტად ვრცელდება ერთი ცენტრიდან კონცენტრიული წრეების მსგავსად. ტ. თ-ის მიხედვით, ასეთი. თანდათანობითი და უწყვეტი დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა მონათესავე (ინდოევრ.) ენები.

ტალღამტეხი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რ-ის დანიშნულებაა ნავსადგურის აკვატორიის, სარეიდო მისადგომების, არხებისა და რაბების მისასვლელების, ზღვის, ტბის, წყალსაცავისა და მისთ. სანაპირო უბნების დაცვა ღელვისაგან (ქარით გამოწვეული ტალღებისაგან). შეკავებული ტალღების ენერგია ქრება ტ-ზე ან აირეკლება მისგან.











ტალღამტეხი. საფარი ტალღამტეხები (განივი პროფილები): ა — ვერტიკალური პროფილის გრავიტაციული კედელი; ბ—დაფერდებული პროფილის ტალღამტეხი; გ—ხიმინჯიანი კონსტრუქციის ვერტიკალური კედელი; დ—ცილინდრული გარსებისაგან შედგენილი ვერტიკალური კედელი; ე—გამჭოლი ტალღამტეხი; ვ—მოტივტივე ტალღამტეხი; ზ—პნევმატიკური ტალღამტეხი; 1—ქვაყრილის საგები; 2—ზედნაშენი; 3—მასივის წყობა ან რკინაბეტონის გარსპონტონი, რომელიც შევსებულია ქვით; 4—ქვაყრილი; 5—მასივების მინაყარი; 6—ხიმინჯის ან ნარანდიანი მწკრივები; 7—ქვის ჩანაყარი; 8—რკინაბეტონის გარსი; 9—რკინაბეტონის კოჭებით შეშლილი ეკრანი; 10 — საყრდენები; 11 — პონტონი ან მცურავი მოწყობილობა, რომელსაც აქვს გისოსოვანი ტალღაჩამჭრობი; 12—ლუზის ჯაჭვები; 13—ლუზები; 14—ჰაერსატარის საყრდენები; 15—ჰაერსატარი; 16—წყალ.-ჰაერის ჩირაღდანი, რომელიც წარატაცებს მიერთებულ წყლის მასას.




„ტალღა“, ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურულ-ს გაზეთი ს.-დ. (მენშევიკური) მიმართულებისა. გამოდიოდა ქ.ბილისში 1906 გაზ. „სიმართლის“ სანაცვლად. 1905 წ. 30 ივლიდან 6 დეკ-მდე რედ. -გამომცემლები: ი. კარგარეთელი, ი. ოტიაშვილი. გაზეთში იბეჭდებოდა წერილები, სტატიები, ლექსები, მოთხრობები და თარგმანები. „ტ-ის“ გამოცემა შეწყდა მთავრობის განკარგულებით.

ტალღები ზღვისა.




ტალღასატარი, ტალღების გასავრცელებელი არხი. განასხვავებენ აკუსტიკურს (იხ. *ტალღასატარი აკუსტიკური*), რადიოტალღასატარს, შუქსატარს და სხვ. ტ-ს იყენებენ სიგნალების ან ენერგიის მიმართული გადაცემისათვის.

ტალღასატარი, აკუსტიკური, არხი, რ-ითაც გადასცემენ აკუსტიკურ ენერგიას (ბგერას). მისი კედლების თვისებები მკვეთრად განსხვავდება შიგა და გარე გარემოს (სავენტილაციო სასვლელებისა და სხვ.) თვისებებისაგან. არის ისეთი არხიც, რ-იც წარმოიქმნება გარე და შიგა გარემოს (მაგ., ღეროების, სიმებისა და მისთ.) თვისებათა მკვეთრი სხვაობის გამო. ტ-ში გავრცელებული ენერგიის ნაკადის დანაკარგი გარე გარემოში უმნიშვნელოა და იგი შეიძლება უგულებელვყოთ. ტ. წარმოიქმნება აგრეთვე არაერთგვაროვან მთლიან გარემოშიც, როცა არხის შიგნით და გარეთ გარემოს თვისებები მდოვრედ იცვლება. ასეთი ტ. შეიმჩნევა ატმოსფეროსა და ოკეანეში განსხვავებული ტემპ-რის მქონე შრეების შორის. ამ შემთხვევაში შესამჩნევია ენერგიის ნაკადის გაღწევა „კედლებში", ენერგიის ძირითადი ნაწილი კი ვრცელდება ტ-ის გასწვრივ (იხ. *ჰიდროაკუსტიკა*). თუ მილის განივკვეთის ზომა მცირეა ტ-ში გავრცელებული ბგერითი ტალღის სიგრძესთან შედარებით, მაშინ ბგერის გავრცელება მილში შეიძლება წარმოვიდგინოთ ბრტყელი ტალღის სახით, როცა მილის განივკვეთის ზომა თანაზომადია ან გაცილებით მეტია ტალღის სიგრძეზე, მოვლენა გაცილებით რთულია. თუ ტ. წარმოადგენს დრეკად მყარ გარემოს, მოვლენა რთულდება ორი სახის ტალღის (შეკუმშვისა და გადაწევის) არსებობის გამო.



ტალღური გადამცემი მექანიზმი. ნახ. 1. კბილა ტალღური გადამცემი მექანიზმი (რედუქტორი): 1 — ხისტი თვალი; 2—მოქნილი თვალი; 3—ტალღების გენერატორი.

ტალღები ზღვისა, ტ. ზღვის ან ოკეანის ზედაპირზე. ტ-ის გამომწვევი მიზეზებია მთვარისა და მზის მიზიდულობის ძალები, ქარი, ატმ. წნევის ცვალებადობა, წყალქვეშა მიწისძვრები და ზღვის ფსკერის დეფორმაცია. ამ მიზეზების შესაბამისად განარჩევენ მოქცევის (იხ. *მიქცევა და მოქცევა*), ქარისმიერ, ბარიულ (იხ. *სეიშები*) და სეისმურ (იხ. *ცუნამი*) ტ-ს. ტ., რ-ებიც განუწყვეტლივ განიცდის ენერგიის ზემოქმედებას, იძულებითია, ხოლო ტ., რ-ებიც გამომწვევი ძალების ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგაც განაგრძობს მოქმედებას, თავისუფალია. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ტ-ში ნაწილაკების მოძრაობას და ტ-ის ფორმის ხილულ მოძრაობას, რაც გამოიხატება მათი პროფილის გადაადგილებით სივრცეში. ნაწილაკები ტ-ში გადაადგილდება დახშული ან თითქმის დახშული ტრაექტორიებით. ზღვის ტ-ის ძირითადი მახასიათებლებია: სიმაღლე — ვერტ. მანძილი ტ-ის თხემსა და ძირს შორის, სიგრძე — ჰორიზ. მანძილი ტ-ის ორ მეზობელ თხემსა თუ ძირს შორის (იხ ნახ.). ტ-ის გადაადგილების სიჩქარე ანუ ფაზური სიჩქარე არის ტ-ის პერიოდი. ქარისმიერი ზღვის ტ-ის პერიოდი 30 წმ არ აღემატება, ბარიული და სეისმური ზღვის ტ-ის პერიოდია წუთები, ათეული წუთები და საათები. მოქცევის ტ-ის პერიოდი განისაზღვრება საათებით.



ქარისმიერი ტ. იძულებითი ტ-ა. ღია ზღვაში მათი სიგრძე ზოგჯერ 400 მ აღწევს, სიმაღლე 12—13 მ, ხოლო სიჩქარე 14—15 მ/წმ. ღრმა ზღვაში ტ-ის ხასიათს განაპირობებს ქარის სიჩქარე და ხანგრძლივობა. მარჩხ ზღვაში ტ-ის წარმომქმნელი დამატებითი ფაქტორებია ზღვის სიღრმე და ფსკერის რელიეფი; მცირე სიღრმე ზღუდავს ტ-ის ზრდას. თუ ღელვის გამომწვევი ქარი ჩადგა, ქარისმიერი ტ. თანდათან თავისუფალ ტ-დ გარდაიქმნება და წარმოიქმნება *ლიველიი*. ზღვის ტ-ის შესწავლას დიდი პრაქტ. მნიშვნელობა აქვს ნაოსნობისათვის, საზღვ. ჰიდროტექ. მშენებლობისათვის, გემთმშენებლობისათვის და ა. შ. ქარისმიერ ტ-ზე დაკვირვება წარმოებს ტალღასახომილარტყმებით, ტალღასახომებით და ტალღაჩასაწერებით. გრძელპერიოდიან მოქცევის ტ-ზე დაკვირვებას აწარმოებენ მარეოგრაფებით.

ტალღის განტოლება, რომელიმე გარემოში ტალღების გავრცელების აღმწერი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლება. ერთგვაროვან იზოტროპულ გარემოში მცირე შეშფოთებების დროს ტ. გ-ს შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{\partial^2 u}{\partial x^2}+\frac{\partial^2 u}{\partial y^2}+\frac{\partial^2 u}{\partial z^2}=\frac{1}{v^2}\frac{\partial^2 u}{\partial t^2},$$


სადაც x, y, z სივრცითი ცვლადებია, t—დრო, $u=u(x,y,z)$—საძიებელი ფუნქცია, რ-იც ახასიათებს შეშფოთებას (x, y, z) წერტილში t მომენტში, v—შეშფოთების გავრცელების სიჩქარე. ტ. გ-ის ამოხსნა მოცემულია „გაწმენდადი სფერული ტალღის" სახით: $u=f(t-r/v)/r$, f ნებისმიერი ფუნქციაა, ხოლო $r=\sqrt{x^2+y^2+z^2}$.

ლიტ.: Тихонов А. Н., Самарский А. А., Уравнения математической физики, 3 изд., М., 1966.

ტალღის სიგრძე, ტალღის სივრცითი პერიოდი, ე. ი. მანძილი ტალღის იმ ორ უახლოეს წერტილს შორის, რ-თა რხევის ფაზა ერთნაირია. ტ. ს. რხევის T პერიოდსა და ტალღის გავრცელების v სიჩქარესთან დაკავშირებულია თანაფარდობით: $\lambda=vT$.

ტალღის ფრონტი, რხევის წყაროს შემომსაზღვრელი ზედაპირი, რ-ის ყველა წერტილში ტალღას რხევის ერთნაირი ფაზა აქვს დროის მოცემულ მომენტში. ტ. ფ. შეიძლება იყოს სფერული (სფერული ტალღა) ან უფრო რთული ფორმისა. ტალღის გავრცელების მიმართულება ტ. ფ-ის ნორმალია.

ტალღურასებრნი (Orqyidae ანუ Lymantriidae), ღამის პეპლების ოჯახი. აქვთ საშუალო ზომის შებუსვილი და მოუქნელი სხეული. წინა ფრთები მოთეთრო-მონაცრისფრო-მოყავისფროა, სუსტად მოხატული ან ერთფერი. უკანა ფრთები მკრთალი და მოუხატავია. ზოგიერთი სახეობის დედალს ფრთები არ გააჩნია. უმრავლესობას რუდიმენტული პირის ორგანოები აქვს და არ იკვებება. მატლი უხვადაა შებუსვილი, იკვებება ხემცენარეთა ფოთლებით ან ყინწვებით, იშვიათად — ბალახით. ოჯახში 4000-მდე სახეობაა, რ-თაგან საქართველოში გვხვდება 20. ტ-თა უმრავლესობა მეზოფილური ტყის ბინადარია, გვხვდება სუბტროპ. ტყეშიც, ერთეულები — სტეპში. ზოგიერთი სახეობა ტუნდრაში იჭრება, ზოგი კი არქტიკის უკიდურეს საზღვარს აღწევს. ტ-თა უმრავლესობა ტყისა და ხეხილის მავნებელია. მასობრივი გამრავლების დროს საქართველოში დიდი ზიანი მოაქვთ არაფარდ აბრეშუმხვევიას, მონაზონას, ოქროკუდას. *ე. დიდმანიძე.*



ტალღური არხი. „ტალღური არხის" ტიპის რვადირექტორიანი ანტენა: ა — სქემა (1—რეფლექტორი; 2—აქტიური ვიბრატორი; 3—დირექტორები; 4—მაქსიმალური გამოსხივების მიმართულება); ბ—მიმართულობის დიაგრამა პოლარულ კოორდინატებში (E—ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობა; E_{max} — ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობა მაქსიმალური გამოსხივების მიმართულებით).

„ტალღური არხი", დირექტორული ანტენა, უდიაგნის ანტენა, *მსრბოლი ტალღის ანტენა*, რ-იც წარმოადგენს ლითონის ღეროზე დამაგრებულ და პარალელურად განლაგებულ ტალღის სიგრძის დაახლ. 0,5 ზომის წრფივი ელექტრული ვიბრატორების ერთობლიობას. ასეთი ანტენის (ნახ.) ერთერთ ვიბრატორზე (აქტიურზე) მიყვანილია მაღალი სიხშირის რხევების ენერგია, დანარჩენ ვიბრატორებში (პასიურში) კი ელექტრული დენი აღიგზნება ვიბრატორის გავლენით. რეფლექტორსა და დირექტორებში დენის ფაზა (არეგულირებენ მათი სიგრძის შერჩევით) ისეთია, რომ ანტენის გასწვრივ რეფლექტორიდან დირექტორების მიმართულებით წარმოიქმნება მსრბოლი ტალღა. „ტ. ა-ს" იყენებენ მეტრული ტალღების დიაპაზონში სატელევიზიო სიგნალების კოლექტ. მიღებისათვის და რადიოკავშირის აპარატურაში (მეტრული და დეციმეტრული ტალღების დიაპაზონში).

ტალღური გადამცემი მექანიზმი, მექანიკური გადამცემი მექანიზმი (კბილა, ფრიქციული, ხრახნული), რ-შიც ბრუნვა გადაეცემა და გარდაიქმნება ე. წ. მოქნილ ელემენტში დეფორმაციის ტალღების ციკლური აგზნების შედეგად. გავრცელებულია კ ბ ი ლ ა ტ. გ. მ. (ნახ. 1), რ-ის გადაცემის კორპუსში ჩამაგრებულია შიგა მოდების კბილა თვალი (ხისტი ელემენტი), ხოლო მის გამოსავალ ლილვზე დამაგრებულია ჭიქის ფორმის ხუფლკედლიანი კბილა თვალი, რ-საც აქვს გარეკბილები (მოქნილი ელემენტი). უკანასკნელის კბილთა რიცხვი ნაკლებია ხისტი კბილა თვლის კბილთა რიცხვზე. მოქნილ კბილა თვალში ჩადგმულია ოვალური მუშტა, ე. წ. დეფორმაციის ტალღების გენერატორი. ბრუნვისას გენერატორი წელავს მოქნილ კბილა თვალს, რის გამოც წარმოიშობა მსრბოლი ტალღები, რ-თა წეროებზე ხდება მოდება. ხისტი და მოქნილი კბილა თვლების კბილთა რიცხვების სხვაობა დეფორმაციის ტალღების რიცხვის ტოლია. ტალღების რიცხვის მიხედვით ტ. გ. მ. არის ერთ-, ორ- და სამტალღიანი. კბილა ტალღური გადაცემის მუშაობის სქემა (ნახ. 2) ასეთია: ორგორგოლაჭიანი გენერატორის საათის ისრის მიმართულებით ბრუნვისას მოქნილი კბილა თვლის პირველი კბილი შედის ხისტი თვლის პირველ ღრმულში, მე-2 — მე-2-ში და ა. შ. (მე-200 კბილამდე). გენერატორის შემდგომი ბრუნვისას მოქნილი კბილა თვლის პირველი კბილი შევა ხისტი თვლის 201-ე ღრმულში, მე-2 — 202-ში, ხოლო მე-3 — ხისტი კბილა თვლის პირველ ღრმულში (ნახ. 2, დ). ამრიგად, ტალღების გენერატორის 1 სრული ბრუნვისას მოქნილი თვალი ხისტის მიმართ დაიძვრება 2 კბილით ანუ $\varphi=\frac{2}{200}\cdot 360=$ $=3{,}6°$ კუთხით (ნახ. 2, გ). ტ. გ-ის გადაცემის რიცხვი $u=\frac{Z_8}{Z_6-Z_8}$, სადაც Z_8 და Z_6 მოქნილი და ხისტი კბილა თვლების კბილთა რიცხვებია.

უმეტესად ტ. გ. მ-ის მოქნილი კბილა თვალი მბრუნავია. იყენებენ აგრეთვე ისეთ ტ. გ. მ-ს, რ-ის მოქნილი კბილა თვალი დამაგრებულია, ხისტი კბილა თვალი კი — მბრუნავი.

ტ. გ. მ-ის მთავარი თავისებურებაა ის, რომ შეიძლება დიდი გადაცემის რიცხვის მიღება. სხვა კბილა თვლებთან შედარებით ტ. გ. ც. უფრო კომპაქტურია, შეუძლია დიდი მბრუნი მომენტის გადაცემა. მისი მქკ შეადგენს 80—92%-ს, მუ-

შაობს დარტყმების გარეშე, ახასიათებს გადიდებული კინემატიკური სიზუსტე და სხვ.

ტ. ბ. მ. არის შემნელებელი (რედუქტორი) და მაჩქარებელი (მულტიპლიკატორი). ტ. ბ. მ-ში ტალღის გენერატორი შეიძლება მოთავსებული იყოს გარეთ (ნახ. 3), ან მას ჰქონდეს პნევმ. (ნახ. 4) ან ჰიდრავ. გენერატორი. ტ. ბ. მ-ის მოქნილ თვალს ამზადებენ გამძლე ლითონებისაგან ან სხვადასხვა პლასტმასისაგან. ტ. ბ. მ-ით ბრუნვის გადაცემა შეიძლება იზოლირებულ ჰერმეტულად დახშულ სივრცეში ან პირიქით. კბილა ტ. ბ. მ-ებს შორის აღსანიშნავია ე. წ. რ ე ს პ ო ნ ს ი ნ ი (დეფორმაციის ტალღების ელექტრომაგნ. აგზნების ტ. ბ. მ.), რ-ის სახესხვაობაა ა. მოსკვიტინის მიერ გამოგონებული ნელსვლიანი ელექტრომრავა მოქნილი როტორითურთ (1944). ფ რ ი ქ ც ი ულ ტ. ბ. მ-ს აქვს მოქნილი და ხისტი ელემენტების გლუვი მაკონტაქტებელი ზედაპირები და მას ვარიატორად იყენებენ. ხ რ ახ ნ ულ ი ტ. ბ. მ-ის მოქნილი ელემენტი შეიძლება იყოს ღრუ ხრახნი ან თხელკედლიანი ქანჩი; უმეტესად იყენებენ მოძრაობის გადასაცემად ჰერმეტიზებულ სივრცეში და ძალიან ნელი გადაადგილებისათვის. ტ. ბ. მ-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე ტ ალ ღ ურ ქ ურ ო ებს, რ-ებიც ბრუნვითს მოძრაობას ცილინდრული გარსიდან გადასცემენ ჰერმეტიზებულ სივრცეში.

ტ. ბ. მ-ს იყენებენ ტვირთამწე მანქანების ამძრავებში, კონვეიერებში, ჩარხებში, საავიაციო და კოსმ. ტექნიკაში, ზუსტ ხელსაწყოებში, მართვის სისტემებში და სხვ.

ლიტ.: Гинзбург Е. Г., Волновые зубчатые передачи, М., 1969; Цейтлин Н. И., Цукерман Э. М., Волновые передачи, «Вопросы ракетной техники», 1965, № 8. *ქ. ნუცუბიძე.*

ტალღური ვექტორი, *k* ვექტორი, რ-ის მიმართულება ემთხვევა *მსრბოლი ტალღის* გავრცელების მიმართულებას; რიცხობრივად ტოლია *ტალღური რიცხვისა.*

ტალღური მექანიკა, იგივეა, რაც *კვანტური მექანიკა.*

ტალღური რიცხვი, სიდიდე, რ-იც λ ტალღის სიგრძესთან დაკავშირებულია $k=2\pi/\lambda$ თანაფარდობით (ტალღათა რიცხვი 2π სიგრძეზე). სპექტროსკოპიაში ტ. რ-ს უწოდებენ ტალღის სიგრძის შებრუნებულ სიდიდეს (1/λ).

ტალღური ფუნქცია კ ვ ა ნ ტ ურ მ ე ქ ა ნ ი კ ა შ ი, სიდიდე, რ-იც სრულად აღწერს მიკროობიექტისა (მაგ., ელექტრონის, პროტონის, ატომის, მოლეკულის) და, საზოგადოდ, ნებისმიერი კვანტური სისტემის (მაგ., კრისტალის) მდგომარეობას.

ტ. ფ-ის მეშვეობით მიკროობიექტის მდგომარეობის აღწერას სტატისტ., ანუ ალბათური, ხასიათი აქვს. ტ. ფ-ის აბსოლ. მნიშვნელობის (მოდულის) კვადრატი იმ ფიზ. სიდიდეთა მნიშვნელობების ალბათობებია, რ-ებზედაც დამოკიდებულია ტ. ფ., მაგ., თუ მოცემულია ნაწილაკის ტ. ფ-ის დამოკიდებულება x, y, z კოორდინატებსა და t დროზე, ამ ტ. ფ-ის მოდულის კვადრატი განსაზღვრავს დროის t მომენტში ნაწილაკის აღმოჩენის ალბათობას იმ წერტილში, რ-ის კოორდინატებია x, y, z. იმის გამო, რომ მდგომარეობის ალბათობა განისაზღვრება ტ. ფ-ის კ ვ ა დ რ ა ტ ი თ, მას ა ლ ბ ა თ ო ბ ი ს ა მ პ ლ ი ტ უ დ ა ს აც უწოდებენ.

ამასთან, ტ. ფ. გვიჩვენებს, რომ მიკროობიექტებს აქვს ტალღური თვისებები. მაგ., მოცემული ε ენერგიისა და p იმპულსის მქონე ნაწილაკისათვის, რ-საც ეთანადება $\nu=\varepsilon/h$ სიხშირისა და $\lambda=h/p$ (h *პლანკის მუდმივაა*) სიგრძის მქონე დ ე ბ რ ო ი ლ ი ს ტ ა ლ ღ ა, ტ. ფ. უნდა იყოს პერიოდული სივრცესა და დროში შესაბამისი λ ტალღის სიგრძითა და $T=1/\nu$ პერიოდით.

ტ. ფ-თვის მართებულია *სუპერპოზიციის პრინციპი:* თუ სისტემას შეუძლია იყოს სხვადასხვა მდგომარეობაში, რ-თა შესაბამისი ტალღური ფუნქციებია ψ_1, ψ_2,..., მაშინ შესაძლებელია ისეთი მდგომარეობაც, რ-ის ტ. ფ. ამ ტ. ფ-ების ჯამია (და ზოგადად ნებისმიერი წრფივი კომბინაციაა). შეკრება ტ. ფ-ებისა (ალბათობათა ამპლიტუდებისა) და არა ალბათობებისა (ტ. ფ-ების კვადრატებისა) პრინციპულად განასხვავებს კვანტურ თეორიას ნებისმიერი კლასიკური სტატისტ. თეორიისაგან, რ-შიც მართებულია ა ლ ბ ა თ ო ბ ა თ ა შეკრების თეორემა.

დიდი რაოდენობის ერთნაირი მიკრონაწილაკებისაგან შედგენილი სისტემებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ტ. ფ-ის სიმეტრიის თვისებები, რ-ებიც განაპირობებენ ნაწილაკთა მთელი ანსამბლის სტატისტიკას.

ტალღური ფიზიკა, 1. ა კ უ ს ტ ი კ ა შ ი ახასიათებს აირისებრი ან თხევადი გარემოს სიხისტის ხარისხს (ე. ი. გარემოს უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს დეფორმაციის წარმოქმნას) *მსრბოლი ტალღის* რეჟიმის დროს. გამოისახება მსრბოლ ბრტყელ ტალღაში ბგერითი წნევის შეფარდებით გარემოს ნაწილაკების რხევის სიჩქარესთან.

2. ჰ ი დ რ ო ა ე რ ო მ ე ქ ა ნ ი კ ა შ ი განასხვავებენ ტ. ფ-ს აირთა დინამიკაში და ტ. ფ-ს მძიმე სითხეში. ტ. ფ. აირთა დინამიკაში წარმოადგენს *აეროდინამიკურ წინაღობას,* რ-იც წარმოიქმნება ზებგერითი დინების დროს. ასეთი ტ. ფ. წარმოიშობა დარტყმითი ტალღების წარმოქმნაზე ენერგიის დახარჯვის შედეგად. ტ. ფ. მძიმე სითხეში ერთ-ერთი შემდგენია სითხის წინაღობის ძალებისა სხეულების მოძრაობის დროს. იგი წარმოიქმნება მაშინ, როცა სხეული მოძრაობს სითხის თავისუფალი ზედაპირის ან სხვადასხვა სიმკვრივის მქონე სითხეების გაყოფის ზედაპირის მახლობლად. ასეთი ტ. ფ. განპირობებულია სითხის ზედაპირზე ტალღების წარმოქმნით.


3. ტ. ფ. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე ქ ნ ი კ ა შ ი არის ძაბვის შეფარდება დენის ძალასთან იმ გადამცემი ელექტრული ხაზის ნებისმიერ წერტილში, რ-ითაც ერცელდება ელექტრომაგნ. ტალღები. იგი წარმოადგენს წინაღობას, რ-საც უწევს ხაზი ძაბვის მსრბოლ ტალღას.

ტამა (საკ. სახელწ. — ტ ა მ ო კ ი), სუდანის დემოკრ. რესპ. და ჩადის რესპ. სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები ხალხი. რაოდ. მონათესავე ტომებთან ერთად 380 ათ. კაცზე მეტი (1978, შეფასება). ენა განეკუთვნება ცენტრ. და აღმ. სუდანის ენათა ჯგუფს. ნაწილი არაბულად ლაპარაკობს. რელიგია — მუსლიმანობა. ტ-ს ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება (ხორბალი, ბრინჯი, ღომი) და მესაქონლეობა.


ტამაზიგტები, *ბერბერ* ტომთა ჯგუფი. ცხოვრობენ მაროკოში, შუა ატლასის მთებში. რაოდ. 1600 ათ. (1978). ლაპარაკობენ ბერბერული ენის დიალექტზე, უმრავლესობა — არაბულზეც. რელიგია — მუსლიმანობა. მისდევენ მთის მიწათმოქმედებას, აშენებენ ცხვარსა და თხას. საშოვარზე დადიან ქ-ებში.

ტამალე (Tamale), ქალაქი განაში, ჩრდ. ოლქის ადმ. ცენტრი. 99 ათ. მცხ. (1970). საავტ. გზით უკავშირდება ატლანტის ოკ. სანაპიროს. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო, კეების მრეწვ. საწარმოები. სატრანსპ. მანქანათმშენებლობა.


ტამანის არმიის ლაშქრობა 1918, საბჭ. ჯარების გმირული ლაშქრობა ტამანის ნ.-კ-იდან ტუაფსეს გავლით ჩრდ. კავკასიის წითელი არმიის მთავარ ძალებთან შესაერთებლად 1918 აგვ.-სექტ-ში, სამოქალაქო ომის (1918—20) დროს.



ტალღური გადამცემი მექანიზმი. ნახ. 2. კბილა ტალღური გადამცემი მექანიზმის მუშაობის სქემა: ა—გენერატორის საწყისი მდგომარეობა; ბ—გენერატორი მობრუნებულია 90°-ით; გ—გენერატორი მობრუნებულია 360°-ით; დ—მოდების ზონა; 1—ხისტი თვალი; 2—მოქნილი თვალი; 3—ტალღების გენერატორი.



ტალღური გადამცემი მექანიზმი. ნახ. 3. კბილა ტალღური გადამცემი მექანიზმი (გენერატორი მოთავსებულია გარეთ): 1—ხისტი თვალი; 2—მოქნილი თვალი; 3—გენერატორი.



ტალღური გადამცემი მექანიზმი. ნახ. 4. პნევმატიკურგენერატორიანი კბილა ტალღური გადამცემი მექანიზმი: 1 — ხისტი თვალი; 2—მოქნილი თვალი; 3—გენერატორი.

ტამანის არმია (30 ათ. კაცი, სარდალი ი. მატვეევი) ჩამოყალიბდა 27 აგვ. გელენჯიკში 3 კოლონის შემადგენლობით, რ-ებიც ადრე თეთრგვარდიელ და გერმ. ინტერვენტებს ებრძოდნენ. ავანგარდში მყოფმა 1-ელმა კოლონამ 28 აგვ. დაიკავა არხიპო-ოსიპოვკა, 1 სექტ. — ტუაფსე, 12 სექტ. — ბელორეჩენსკი. 14 სექტ., მას შემდეგ, რაც 1-ელ კოლონას შეუერთდნენ მე-2 და მე-3 კოლონები, ტამანელებმა გაერთ. ძალებით გაარღვიეს თეთრების თავდაცვა ბელორეჩენსკის ჩრდ-ით და 18 სექტ. დონდუკოვსკაიასთან შეუერთდნენ ჩრდ. კავკასიის წითელი არმიის მთავარ ძალებს. 26 სექტ. 1-ელმა კოლონამ გაათავისუფლა არმავირი. 1918 ოქტ.-ნოემბ. ტამანის არმია სტავროპოლის რ-ნში იბრძოდა. 1918 დეკ. იგი მე-3 ტამანის მსროლელ დივიზიად გადაკეთდა, რ-იც 1919-ში დაშალეს. ტ. ა. ლ. აღწერილია ა. სერაფიმოვიჩის რომანში „რკინის ნიაღვარი" (1924).

ტამანის ნახევარკუნძული, ტ ა მ ა ნ ი, ნახევარკუნძული რსფსრ კრასნოდარის მხარეში, კავკასიონის დას. და ჩრდ.-დას. გაგრძელებაზე. აკრავს შავი ზღვა, აზოვის ზღვა და ქერჩის სრუტე. ფართ. 2 ათ. კმ². ნაპირები დაბალია, შეჭრილ-შემოჭრილი. ახ. წ. დასაწყისში აქ იყო კუნძულები, რ-ებიც V ს-ში შეერთდა და წარმოიქმნა ნ.-კ. ადრინდ. კ-ები წარმოადგენს თიხოვანი ქანებით აგებულ გუმბათისებრ ამაღლებებს (სიმაღლე 164 მ-მდე), რ-ებზედაც 25 ტალახის ვულკანია, დადაბლებებში არის მლაშე ლიმანური ტბები. ხორბლისა და სიმინდის ნათესები. მევენახეობა, მებაღეობა.

ტამბოვი, ქალაქი, რსფსრ ტამბოვის ოლქის ცენტრი. ნავმისადგომი მდ. ცნის (ვოლგის აუზი) მარცხ. ნაპირზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 286 ათ. მცხ. (1983). განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, ქიმ., სამშენ მასალათა, სამკერვალო, ფეხსაცმლის, კეების, ავეჯის მრეწველობა. თეატრი.

ტ. დაარსდა 1636 როგორც ციხესიმაგრე მოსკ. სახელმწიფოს ყირიმისა და ნოღაის თათრებისაგან დასაცავად. 1796-იდან საგუბერნიო ცენტრია. 1830 ტ-ში მოხდა „ქოლერის აჯანყება". პირველი მარქსისტული წრე შეიქმნა 1896. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 31 იანვარს (13 თებ.).

ქალაქი ამფითეატრისებრ არის შეფენილი დამრეც ფერდობზე მდ. ცნის მოსაბრუნთან. 1781 დამტკიცდა გენ. გეგმა ქუჩების რადიალურ-ნახევარწრიულად განლაგებული სისტემით. ხუროთმოძღვრული ძეგლია ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია (1768) და სხვ. საბჭ. პერიოდში აშენდა მრავალი ახ. შენობა: ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი (1967, არქიტ. ვ. სამოროდოვი), კულტურის სასახლე „საიუბილეო" (1970, ტიპური პროექტი) და სხვ. 1968 დამტკიცდა ახ. გენ. გეგმა. ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის (ბრინჯაო, გრანიტი 1967, მოქანდაკე პ. ბონდარენკო), 1941—45 დიდ სამამულო ომში დაღუპულ ტამბოველ მეომართა (ბრინჯაო, გრანიტი, ბეტონი, 1970, მოქანდაკეები კ. მალოფეევი და ს. ლებედევი) და სხვა ძეგლები.

ტ-ში არის პედ., ქიმ., მანქანათმშ. ინ-ტები, მოსკ. კულტ. ინ-ტის ფილიალი;




ი. ტამი.

11 სამ. სპეც. სასწავლებელი; საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები (რეზინტექ., მანქანათმშ., პოლიმერული მასალების ქიმიკატების). დრამ. და თოჯინების თეატრები, ფილარმონია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სურათების გალერეა. კარდიოლოგიური სანატორიუმი.

ტამბოვის ოლქი, შედის რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1937 წ. 27 სექტემბერს. მდებარეობს ცენტრ.-შავმიწანაგროვანი ეკონ. რ-ნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ფართ. 34,3 ათ. კმ². მოსახლ. 1338 ათ. კაცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 52%. ცენტრი — ქ. ტამბოვი. ტ. ო. მდებარეობს აღმ. ევრ. ვაკის ცენტრში და უკავია ოკა-დონის ვაკის ცენტრ. ნაწილი. საშ. სიმაღლე 110—115 მ. მდ-ები განეკუთვნება ვოლგისა (ცნა შენაკადებით— ჩელნოვაია, კერშა, კაშმა) და დონის (ვორონეჟი შენაკადებით — ვორონა, სავალა, ბიტიუგი, მატირა) აუზებს. განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშ., ქიმ., მსუბუქი (მაუდის, სატრიკოტაჟო, ტყავის, ბეწვეულის, სამკერვალო, ფეხსაცმლის საწარმოები), კვების (შაქრის, ხორცის, ბურღულეულის, ყველ-კარაქის, ზეთსახდელი, საკონსერვო და სხვა საწარმოები) და საშენ მასალათა მრეწველობა. სოფ. მეურნ. მემარცვლეობა-მეცხოველეობის მიმართულებისაა. არის ტექ. კულტ. ნათესები. მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, ფეტვი, წიწიბურა, მარცვლეულ-პარკოსნები, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, კარტოფილი. მისდევენ მებაღეობას. მეცხოველეობა სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. ცნა ადგილ. მნიშვნელობის (200 კმ-ზე) სანაოსნო მდინარეა. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

ტამბოვკა, სოფელი ბოგდანოვკის რ-ნში, ფარავნის ტბის პირას, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., ასფარა, ახალი ხულგუმო, როდიონოვეკა). ზ. დ. 2080 მ, ბოგდანოვკიდან 47 კმ. ახალი ხულგუმოს კოლ-ბა „ილიჩის გზით" (მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.



1. მორდვეთის ასსრ

ტამბუკანის ტბა, დიდი ტამბუკანი, მწარე-მლაშე ტბა ჩრდ. კავკასიაში, ქ. პიატიგორსკიდან 12 კმ ფართ. 1,87 კმ², სიღრმე 1,5-იდან 3,1 მ-მდე. ტბის ფსკერზე რაპის ქვეშ ლამიანი ტალახის სქელი ფენაა. ტბის ტალახს უმთავრესად იყენებენ კავკასიის მინ. წყლების კურორტებზე ტალახით მკურნალობისათვის.

ტამერფორსი (Tammerfors). ფინეთის ქალაქ *ტამპერეს* შვედური სახელწოდება.

ტამერფორსის კონფერენცია რსდმპ (1906), იხ. *რსდმპ I კონფერენცია.*

ტამერფორსის მანიფესტი, „წითელი მანიფესტი", ფინეთის პროლეტარიატის პროგრამული დოკუმენტი, მიიღეს 1905 წ. 1 ნოემბ. ტამერფორსის (ტამპერეს) მშრომელთა 30-ათასიან მიტინგზე საყოველთაო გაფიცვის დროს. ტ. მ. განასახიერებდა ფინ. სოც.-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის პლატფორმას. მასში წამოყენებული იყო მოთხოვნები ფინ. სენატის გადადგომის, ეროვნ. კრების მოწვევის, დემოკრ. თავისუფლებათა უზრუნველყოფის, ჰელსინგფორსის მცხოვრებთა მიერ საყოველთაო არჩევნების გზით ფინ. დროებითი მთავრობის არჩევის შესახებ. ამავე დროს ცხადდებოდა რუსეთთან ფინ. სახელმწ. კავშირის შენარჩუნება იმ პირობით თუ რუსეთში ხელისუფლება „ერის უკეთესი ელემენტების" ხელში გადავიდოდა. *გ. სიმონიძე.*

ტამი იგორ ევგენის ძე [26. VI (8. VII). 1895, ვლადივოსტოკი, — 12. IV. 1971, მოსკოვი], საბჭ. ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953), სოციალ. შრომის გმირი (1953). მოსკ. უნ-ტის დამთავრების (1918) შემდეგ ასწავლიდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, 1924—41 და 1954-იდან ასწავლიდა მოსკ. სახელმწ. უნ-ტში. 1934-იდან მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად ფიზ. ინ-ტში. მისი უმთავრესი შრომები ეხება კვანტურ მექანიკასა და მის გამოყენებას, გამოსხივების თეორიას, კოსმ. სხივების თეორიას და ბირთვული ნაწილაკების ურთიერთქმედებას. 1937 ი. *ფრანკთან* ერთად შექმნა გარემოში სწრაფად მოძრავი ელექტრონის გამოსხივების თეორია (იხ. *ჩერენკოვ—ვავილოვის ეფექტი*). 1950 ა. *სახაროვთან* ერთად წამოაყენა იდეა: გამოეყენებინათ მაგნ. ველში მოთავსებული გახურებული პლაზმა და ტოროიდული მაგნ. საჭერები მართვადი თერმობირთვული რეაქციის განსახორციელებლად. აეტორია კურსისა „ელექტრობის თეორიის საფუძვლები". შექმნა ფიზიკოს-თეორეტიკოსების სკოლა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. სსრკ სახელმწ. პრემიები (1946, 1953). ნობელის პრემია (1958).

თხზ.: Собр. науч. трудов, т. 1—2, М., 1975.

ლიტ.: Игорь Евгеньевич Тамм, 2 изд., М., 1974 (Материалы к биобиблиографии учёных СССР. Серия физики, в. 16).

ტამი, სოფელი გორის რ-ნში (მღებრიანის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. მდ. ტამისწყლის (თქმის შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1640 მ, გორიდან 52 კმ. ტყვიავის კოლ-ბა საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ქვემო ბოშურში (26 კმ).

ტამილები, ხალხი სამხრ. აზიაში. ცხოვრობენ ინდოეთში, შრი-ლანკაში, მალაიზიაში, ბირმაში, სინგაპურში, ავსტრალიაში, ოკეანიაში. საერთო რაოდ. 47,8 მლნ. კაცი (1978). ლაპარკობენ *ტამილურ ენაზე.* რელიგიით უმრავლესობა ინდუისტია, ნაწილი — მუსლიმანი. ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან სამხრ. ინდურ რასას. წარმოშობით უკავშირდებიან *დრავიდებს.* ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ში ცნობილი იყო ტამილური სახელმწიფოები — ჩოლა, ჩერა პანდია. XIV ს-ში ტამილნადი („ტამილების მიწა") გახდა *ვიჯაიანაგარის* იმპერიის ნაწილი. XVII ს-ში. დაიყო სამთავროებად. თანამედროვე ტ-ში ინტენსიურად ვითარდება კაპიტალიზმი. დაახლ. 80% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, განვითარებულია ხელოსნობა.

ტამილნადი (1969-მდე მადრასი), შტატი სამხრ. ინდოეთში, ბენგალის ყურის (ინდ ოკ) სანაპიროზე ფართ. 130 ათ კმ² მოსახლ 48,3 მლნ კაცი (1981), უმთავრესად ტამილები ადმ ც. — ქ. მადრასი შტატს უჭირავს ალუვიური ზღვისპირა ვაკე ინდოსტანის ნ.-კ-ის სამხრ. აღმ. ნაწილში და დეკანის ზეგნის სამხრ. კიდე დას-ით აღმართულია მთები (სიმაღლე 2500 მ-მდე) ჰავა ტროპ. მუსონურია. ნალექები 600—1200 მმ წელიწადში (მთაში 2500 მმ-მდე)

ტ. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლ. შტატია. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, სიმინდი, ჯოვარი, პარკოსნები, ბოსტნეული; ტექ კულტურებიდან — არაქისი (I ადგილი ინდოეთში) და ბამბა. აშენებენ შაქრის ლერწამს, თამბაქოს, კაუჩუკოვნებს, ყავას, ჩაის, სანელებლებს, ქოქოსის პალმას. განვითარებულია მეცხოველეობა, თევზჭერა, ხე-ტყის დამზადება იღებენ ლიგნიტს, ბოქსიტს, მაგნეზიტს. განვითარებულია საფეიქრო, აგრეთვე კვების, ტყავის, მანქანათმშ., სამშენ მასალათა მრეწვ., შავი მეტალურგია. ხელოსნობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრი და ნავსადგურია მადრასი. დიდი საზღვ. ნავსაღგურია ტუტუკუდი.

ტამილური ენა, ტამიჟი, განეკუთვნება *დრავიდული ენების* სამხრ. ჯგუფს. დრავიდულ ენებს შორის ყველაზე ძველი და განვითარებული ენაა. გავრცელებულია ინდ. სამხრ.-აღმ-ში, შრი-ლანკის ჩრდ. აღმ-ში, მალაიზიაში და სამხრ.-აღმ. აზიის სხვა ქვეყნებში. ტ. ე-ზე ლაპარაკობს 48 მლნ-მდე კაცი (1978). შექმნილია მდიდარი ლიტ-რა; ლიტ. ენა საგრ ძნობლად განსხვავდება სალაპარაკოსაგან. ტ. ე-ს აქვს მარცელოვანი დამწერლობა, რ-იც წარმოშობით ბრაჰმის უკავშირდება; გამოიყოფა 12 ძირითდი ნიშანი — 6 ხმოვნებისათვის და 18 თანხმოვნებისათვის, რ-ებსაც ემატება გრანთისაგან ნასესხები 5 ნიშანი.

ლიტ.: Зограф Г. А., Языки Индии, Пакистана, Цейлона и Непала, М., 1960.

ტამილური ლიტერატურა, ინდოეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ტამილნადის შტ.) მცხოვრები ხალხი—ტამილების ლიტ-რა. გავრცელებულია აგრეთვე ჩრდ. ცეილონზე და ნაწილობრივ სამხრ.-აღმ. აზიაში, განსაკუთრებით სინგაპურსა და მალაიზიაში, სამხრ. აფრიკაში, წყნარი ოკეანის კ-ებზე (ტრინიდადი, მარტინიკა, ფიჯი, მავრიკი) და ტამილებით დასახლ. სხვა ადგილებში. სათაურს იღებს I ათასწლეულის დასაწყისში ვითარდებოდა სრულიად დამოუკიდებლად გადმოცემით, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა 3 ლიტ. აკადემია (სანგი) რ-ებშიც გაერთიანებული იყო ათასობით პოეტი. ახ. წ. I ს-ში მადურაში მესამე სანგის არსებობაზე მიუთითებს ისტ. წყაროები. ამავე პერიოდს ეკუთვნის ე. წ. „სანგის პოეზია", რ-იც წარმოდგენილია კრებულებით „რვა ანთოლოგია" და „ათი სიმღერა". ტამილური ლექსთწყობის სისტემა მეტად ორიგინ. და თვითმყოფია. პრაქტიკაში გამომუშავებული ლიტ. წესები შეტანილია ჩვენამდე მოღწეულ ტამილური გრამატ. ტრაქტატში—„ტოლკაპიამი".

ჯაინიზმისა და ბუდიზმის გავრცელებამ ხელი შეუწყო დიდაქტ. პოეზიის შექმნას. აფორისტული პოეზიის კრებულებში „ტირუკულარი" და „ნალადიარი" განმარტებულია ინდ. ფილოსოფიის 3 ტრადიციული „სიცოცხლის მიზანი": 1. დჰარმა (ზნეობის კანონების შესაბამისი სწორი ყოფაქცევის წესები). 2. ართა (მატერ. სარფა). 3. კამა (ხორციელი ტკბობა). ამ თხზულებებში არ აისახა მეოთხე მიზანი — მოქშა (სულის დახსნა),

მასებისათვის ნაკლებად აქტუალური და მისაწვდომი. აღსანიშნავია პოემები „მოთხრობა სამაჯურზე“ (დაახლ. VII—IX სს.), „მარგალიტის ქამარი“, „ვალაიაბადი“, „კუნდალაკეში“ (მოალწია არასრული სახით), „ჯივაკის ჯადოსნური თვალი“ (X ს.). კამბანის პოემაში „რამაინა“ (X—XI სს.) ჩანს ტამილური ეროვნ. ყოფისათვის დამახასიათებელი შტრიხები, რითაც იგი სცილდება თარგმნილი ნაწარმოების ჩარჩოებს. საერო-საკარო პოეზიის წარმომადგენლები არიან პოეტები ოტაკუტანი (XII ს.) და პუჰაენდი (XIII—XIV სს.). ფართოდ გავრცელდა პოეზიასა და პროზაში ტამილური და სანსკრ. ელემენტების ნაზავი ხელოვნური, ღვარჭნილი სტილი „მანიპრავალამი“ („მარგალიტი და მარჯანი“). VII—VIII სს-ში წარმოიშვა ბჰაქტის პოეზიის მდიდარი ტრადიცია. ძირითად ჟანრად იქცა რელიგ. ჰიმნი (ანთოლოგია „ოთხიათასი წმინდა ჰიმნი“, 12 „წმინდა კრებული“. კრებულთა დიდი ნაწილი დაახლ. XI ს-ში შეაგროვა ნამბი ანდარ ნამბიმ).

XIX ს-ში დაიწყო ტამილური კულტ. აღმავლობა. გავრცელდა განმანათლებლური იდეები, განვითარდა პროზა. თანამედროვე პროზის მამამთავრად თვლიან ცეილონელ ტამილს — არუმუგა ნავალარს (1823—1879). პირველი ტამილური რომანის ავტორია ვედანაიაგამ პილაი (1826—1889). მოთხრობის ჟანრის განვითარება დაკავშირებულია დას. ევრ. ნოველისტების თხზულებათა თარგმნასა და ადაპტაციასთან.

XX ს. დასაწყ. პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სუპირამანი ბარადის (1882—1921). აღსანიშნავია მწერლების კალკის (1899—1954) ისტ., რ. ა. მაჰადევანის (1913—57) სოც. რომანები; თანამედროვე მწერლების მ. ვარადარაჯანის (1912—73), ს. ტირიპურასუნდარის (დ. 1921), აპილანის (დ. 1923) ფსიქოლ. რომანები და სხვ. ვითარდება დრამატურგია. ტ. ლ-მ გავლენა მოახდინა სამხრ. ინდ. ხალხების ლიტ-რის განვითარებაზე.

ლიტ.: Варадараджан М., Тамильская литература, წგნ.: История индийских литератур, пер. с англ., М., 1964.

ტამპიში, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. დღამიშის ნაპირას, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., ანუაარხუ, ნაოჩი, ნაღბოუ, წკრიში). რკინიგზის სადგური. ზ. დ. 10 *მ*, ოჩამჩირიდან 14 *კმ*. ეთერზეთების მეურნ. ქ-ნა, სოხუმის ექსპერ. პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფილიალი (მაიმუნსაშენი). რვაწლ., საშ. და საღამოს (ცვლიანი) სკოლები, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კულტსახლი, (კინოდანადგარი), მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა, ტურბაზა.

ტამპა (Tampa), ქალაქი აშშ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ფლორიდის შტატში. 269 ათ. მცხ., ქ. სენტ-პიტერზბერგსა და საგარეუბნო ზონასთან ერთად — 1,6 მლნ. (1980). ნავსადგური მექსიკის ყურის სანაპიროზე. ქიმ., კვების, გემთსაშენი მრეწვ., სიგარების წარმოება, ლითონდამუშავება, უნ-ტი. ტურიზმის ცენტრი.

ტამპერე, ტამერფორსი (ფინ. Tampere, შვედ. Tammerfors), ქალაქი სამხრ.-დას. ფინეთში, ჰიამეს ლიანში. სამრეწვ. მნიშვნელობით და მოსახლ. რაოდენობით ქვეყნის მეორე ქალაქი ჰელსინკის შემდეგ. 167 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 240 ათ. (1981). სატრანსპ. კვანძი. ნავსადგური. მანქანათაშ., საფეიქრო, ცელულოზა-ქაღალდის, ქიმ., ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. ჰესი. უნ-ტები, გამოთვლითი ცენტრი. ვ. ი. ლენინის მუზეუმი.

წყარიებში პირველად 1405 იხსენიება. 1779 ქალაქის სტატუსი მიიღო. XIX ს. შუა წლებისათვის მნიშვნელოვანი საფეიქრო ცენტრი გახდა („ფინეთის მანჩესტერი“). 1896 აქ ჩატარდა ფინ. მუშათა კავშირების II კონგრესი; 1905 გამოიცა და *ტამერფორსის მანიფესტი*, 1905 ჩატარდა რსდმპ I კონფერენცია. ტ. იყო ფინეთის რევოლუციის (1918) დასაყრდენი.

არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია: ტაძარი (1902—07, არქიტ. ლ. სონკი), ვაგზალი (1939, არქიტ. ე. სპაიალია, გ. ფლოდინი); 4 ალეგორიული ფიგურა (1927—29) ჰიამეს ხიდზე, ა. კივის ძეგლი (1926—27), ყველა ბრინჯაო, მოქანდაკე ვ. აალტონენი.

ტამპიკო (Tampico), ქალაქი ჩრდ.-აღმ. მექსიკაში, ტამაულიპასის შტატში. 390 ათ. მცხ. (1979). დიდი საზღვ. ნავსადგური მდ. პანუკოს შესართავთან. ნავთობმომპოვებელი რ-ნის მთავარი ცენტრი. ნავთობგადასამუშ. და ნავთობქიმ., აგრეთვე კვების და ლითონდასამუშ. მრეწველობა. პროდუქტთსადენით უკავშირდება მონტერეის, ნავთობსადენით — ქ. პოსა-რიკა-დე-იდალგოს.

ტამპლიერები (ფრანგ. templiers < temple — ტაძარი), მეტაძრეები, კათოლიკური რაინდული ორდენის წევრები შუა საუკუნეებში. ორდენი დააარსეს ფრანგმა რაინდებმა იერუსალიმში I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ (დაახლ. 1118—19). ორდენის მიზანი იყო სალოცავად მავალთა დაცვა და პალესტინასა და სირიაში ჯვაროსანთა სახელმწიფოების განმტკიცება-გაფართოება. ტ. ეწოდათ ორდენის დამაარსებელთა თავდაპირველი რეზიდენციის სახელწოდების მიხედვით. ეს რეზიდენცია იმყოფებოდა ეკლესიის მახლობლად, რ-იც, გადმოცემით, სოლომონის ტაძრის ადგილზე იყო აგებული. ტ. ატარებდნენ თეთრ მოსასხამს, რ-ზედაც წითელი ჯვარი ჰქონდათ გამოსახული. 1128 შეშუშავებული წესდებით (დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს II-მ) ორდენი მკაცრ ცენტრალიზებულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. 1139 პაპმა ინოკენტი II-მ ტ-ს დიდი პრივილეგიები უბოძა. ტ. აქტიურად მონაწილეობდნენ XII—XIII სს. ჯვაროსნულ ლაშქრობებში. ორდენი თანდათანობით მდიდრდებოდა და მძლავრი პოლიტ. ძალა ხდებოდა, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში ტ-ის ორდენი უდიდესი ფეოდ. მფლობელი გახდა. ორდენის გამდიდრების წყაროს ვაჭრობა, უმთავრესად მევახშეობა, წარმოადგენდა. ტ-ის სახლი პარიზში ფართო საბანკო ოპერაციების ცენტრი ხდება. 1291-იდან ტ. ჯერ კვიპროსზე, შემდეგ კი ევროპაში, უმთავრესად საფრანგეთში, დამკვიდრდნენ. XIV ს. დასაწყისში საფრ. მეფე ფილიპ IV ლამაზი იწყებს ორდენის წინააღმდეგ ბრძოლას. ტ-ს ბრალი დასდეს მწვალებლობაში, ჯრაფალ სხვა მანკიერებაში და 1307 წ. 13 ოქტ. ორდენის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს. 1310 ორდენის დიდი მაგისტროსი ჟაკ დე მოლი და ყველა ტ. დაწვეს. ორდენის ქონებას საშეფო ხაზინამ კონფისკაცია უყო, ხოლო ავინიონის პაპმა კლემენტ V-მ 1312 ორდენი საბოლოოდ გაუქმა.

ტამპონაჟი (ფრანგ. tamponnage < tampon — ტიზი, საცობი), სპეციალური ხსნარების დაჭირხნის პროცესი ქანებში; იყენებენ სამთო საქმესა და ჰიდროტექ. მშენებლობაში ქანების მასივის გასამაგრებლად, აგრეთვე ჰიდროსაიზოლაციო და ფილტრაციის საწინააღმდეგო ფარდების შესაქმნელად. ფარდები გამორიცხავს მიწისქვეშა წყლის გაჟონვას შახტების სამთო გვირაბებში (ჭაურებში, შტრეკებში) ან ფილტრაციული ნაკადების გაჟონვას ჰიდროტექ. ნაგებობათა (კაშხალებისა და მისთ.) ფუძეში. გამოყენებული სატამპონაჟო ხსნარების მიხედვით განასხვაებენ ქანების ცემენტაციას, გათიხვას, ბიტუმიზაციასა და სილიკატიზაციას, აგრეთვე ქანების მასივის გამაგრებას სინთეზური ფისების მეშვეობით. ზოგჯერ კომბინირებულ ტ-საც იყენებენ. საშახტო მშენებლობაში სამთო გვირაბის გაყვანის წინ ატარებენ წინასწარ ტ-ს. არსებობს აგრეთვე სამაგრსა და ქანს შორის მდებარე სივრცის ტ., რ-ის მიზანია სამაგრზე *სამთო წნევის* თანაბრად გადაცემა. ჰიდროტექ. ნაგებობათა მშენებლობისას ტ. ნაგებობის ფუძეში გაყვანილი ჭაბურღილების მეშვეობით ხორციელდება. ფხვიერ, არამდგრად ქანებში ხსნარს ჭირხნიან მათში ჩასმული მილებით. 70-იან წლებში სსრკ-ში გავრცელდა ქანების ტ-ის კომპლ. მეთოდი.



ა. ტამსაარე.

ტამსაარე ანტონ (ნამდვ. გვარი ჰანზენი) [18 (30). I. 1878, ალბუს თემი, ახლანდ. პაიდეს რ-ნი, ესტ. სსრ, — 1. III. 1940, ტალინი], ესტონელი მწერალი. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი. მისი შემოქმედების ძირითადი თემაა ესტ. გლეხთა ცხოვრება (მოთხრობები „ორი წყვილი ცოლ-ქმარი და მარტოხელა“, 1902; „მოხუცები და ახალგაზრდები“, 1903; რომანი „კირბოელი ბატონი“, 1922). 5-ტომიან ეპოპეაში „სიმართლე და სამართლიანობა“ (1926—33) XIX ს. დამლევის ფართო ისტ. პანორამის ფონზე გადმოცემულია ესტ. ინტელიგენტის ცხოვრება. ტ-ს ეკუთვნის ანტირელიგ. ფსიქოლ. დრამა „ივდითი“ (1921), სატირული პამფლეტი ფაშისტურ დიქტატურაზე „მეფეს სცივა“ (1936), აგრეთვე ფანტასტ.-გროტესკული რომანი „ახალი ბოროტი სული ქვესკნელიდან“ (1939) და სხვ.

ტამტამი, დასარტყმელი საკრავი, სპეციალურ ჩარჩოზე ჩამოკიდებული, სპილენძისა და ბრინჯაოს შენადნობებისაგან (განსაკუთრებით თითბრისაგან) დამზადებული დიდი დისკო. ხმოვანებს განსაკუთრებული ჯოხის დარტყმით, რ-საც თავზე მაუდი და რბილი ტყავი აქვს გადაკრული, ბგერა მოკლებულია სიმაღლის ინტონაციას.



ტანაგრისებრნი. ალისფერი ტანაგრა.

ტანა, ცანა, დემბეა, ტბა ეთიოპიაში, ეთიოპიის მთიანეთზე, 1830 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 75 *კმ*, სიგანე 70 *კმ*-მდე. ფართ. 3100—3600 *კმ*² (იცვლება წლის სეზონების მიხედვით), სიღრმე 70 *მ*-მდე. მდებარეობს ლავებით გადაკეტილ ტექტონ. ქვაბულში. ბევრია კუნძული. საზრდოობს უამრავი შენაკადით, აღსანიშნავია მდ. პატარა აბაი. ტ-იდან გამოდის მდ. ცისფერი ნილოსი (აბაი). მდიდარია თევზით. სანაოსნოა.

ტანა, მდინარე თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მტკვრის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ზ. დ. 2000 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 39 *კმ*, აუზის ფართ. 382 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, მდგრადი წყალმცირობა — ოქტ-იდან თებ-ის ბოლომდე. ზაფხულში — წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 2,1 $მ^3/წმ$. გამოყენებულია სარწყავად.

ი. აფხაზავა.

ტანა (Tana), მდინარე კენიაში (აღმ. აფრიკა). სიგრძე დაახლ. 800 *კმ*. სათავე აქვს აბერდერის მთებში, ერთვის ინდოეთის ოკეანეს. წყალუხვია ზაფხულის წვიმების დროს.

ტანაგრისებრნი (Tanagridae), ფრინველთა ოჯახი *ბეღურასნაირთა* რიგისა. გავრცელებულია სამხრ. კანადიდან არგენტინამდე, ვესტინდოეთის კ-ებზე. მოიცავს 48 (61) გვარში გაერთ. 91 (205) სახეობას. მათი სხეულის სიგრძე 7,6 — 30 *სმ* აღწევს, აქვს კონუსისებრი ნისკარტი, ღია ყვითელი, მწვანე, წითელი, ლურჯი შეფერილობა, რ-საც ლითონისებრი ბზინვარება დაჰკრავს. ბუდეს იკეთებენ ხეებზე, ბუჩქებზე, ფულუროში, ზოგჯერ იკავებენ სხვის ბუდეს (გადმოუგრიან მართველებსა და კვერცხებს). დებენ 2—5 კვერცხს, ინკუბაციის ხანგრძლივობა 12—14 დღ გრძელდება. კრუხობს დედალი. იკვებებიან მცენარეებითა და მწერე-



გ. ტანგე. წმ. მარიამის საკათედრო ტაძარი. 1964. ტოკიო.

ბით. ტ. ხშირად გალიებში ჰყავთ. ზოგიერთი მკვლევარი ტ-თ გრატასებრთა ოჯახში ქვეოჯახის სახით აერთიანებს.

რ. ჟორდანია.

ტანაისი, ტანაიდა (ბერძნ. Tanaïs), ძვ. ქალაქი მდ. დონის (ძვ. ბერძნ. — ტანაისი) შესართავთან. ძვ. წ. III ს-ში დააარსეს ბერძნებმა. მდებარეობდა ახლანდ. დასახლების ნედვიგოვკის ადგილზე (მიასნიკოვის რ-ნი, როსტოვის ოლქი). ტ. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო ბოსფორის ბერძნებსა და აზოვისპირა და დონის ველების მომთაბარეთა შორის. XIX ს. შუა წლებიდან მიმდინარეობს ნაქალაქარისა და სამაროვნის არქეოლ. შესწავლა. 1955-იდან სისტემ. გათხრებს ხელმძღვანელობს დ. შელოვი. 1961 ტ-ში ჭეიქმნა არქეოლ. ნაკრძალი და მუზეუმი.




ი. ტანანაევი.

ტანაკა გიიტი (6. III. 1863, ჰაგი, — 29. IX. 1929, ტოკიო), იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალი, ბარონი (1920). 1918 სექტ-იდან 1921 ივნ-მდე და 1923 სექტ-იდან 1924 ივნ-მდე სამხ. მინისტრი. საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში იაპ. სამხ. ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. 1925-იდან თადარიგში გავიდა. 1927 აპრ.-იდან 1929 ივლ-მდე პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და კოლონიების მინისტრი. დიპლ. ლიტ-რაში ტ-ს უკავშირებენ საიდუმლო დოკუმენტს, ე. წ. ტ-ს მემორანდუმს, რ-იც იაპ. საგარეო პოლიტიკის საფუძვლად აშკარად აცხადებდა ჩინეთის, სსრკ და სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიას მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით. ეჭვს გამოთქვამენ ამ დოკუმენტის არსებობაზე.

ტანანა (Tanana), მდინარე ალასკაზე (აშშ), იუკონის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 960 *კმ*, აუზის ფართ. 115 ათ. *კმ*². სათავე აქვს ვრანგელის მთებში. საზრდოობს თოვლის, ყინულისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის ივნ.-აგვ-ში. გაყინულია ოქტ-იდან ივნ-მდე. წყლის საშ. ხარჯი 970 *მ*³/*წმ*. ნანაოსნოა შესართავიდან 360 *კმ*.

ტანანაევი ივანე ვლადიმერის ძე [დ. 22. V (4. VI). 1904, სოფ. სერპოვოე, ახლანდ. მორშანსკის რ-ნი, ტამბოვის ოლქი], საბჭ. ქიმიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958). სოც. შრომის გმირი (1984). სკკპ წევრი 1942-იდან. დაამთავრა კიევის პოლიტექნ. ინ-ტი (1925). 1934-მდე მუშაობდა იქვე, შემდეგ კი — სსრკ მეცნ. აკად. ნ. კურნაკოვის სახ. ზოგადი და არაორგ. ქიმ. ინ-ტში (1939-იდან ლაბორ. გამგე, 1949-იდან განყ-ბის გამგე). ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამუშაოს საქ. სსრ მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ. ინ-ტში. ჟურნალ „არაორგანული მასალების“ მთავარი რედაქტორი (1965-იდან). ტ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება იშვიათ ელემენტთა (მათი ფთორიდების, ფეროციანიდების, ფოსფატებისა და სხვ.) არაორგ. და ანალიზური ქიმ. საკითხებს. სსრკ სახელმწ. პრემია (1949, 1951, 1971). დ. მენდელეევის სახ. ოქროს მედალი (1973). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.



ტანგენსოიდი. $y=\operatorname{tg} x$ ფუნქციის გრაფიკი.

თხზ.: Химия ферроцианидов, М., 1971 (თანაავტ.); Химия фтористых соединений актинидов, М., 1963 (თანაავტ.).

ლიტ.: И. В. Тананаев, «Известия АН СССР. Серия Металлы», 1974, № 4.

ტანანაევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [6 (18). V. 1878, სოფ. სერპოვოე, ახლანდ. მორშანსკის რ-ნი, ტამბოვის ოლქი, — 7. VI. 1959, სვერდლოვსკი], საბჭ. ქიმიკოსი. სკკპ წევრი 1948-იდან. დაამთავრა იურიევის (ახლანდ. ტარტუს) უნტი (1908). კიევისა (1921—37) და ურალის (1938-იდან) პოლიტექ. ინ-ტების პროფესორი. დაამუშავა წვეთური ანალიზი, წილადური ანალიზი და *ანალიზის უბურბუშელო მეთოდი*. სსრკ სახელმწ. პრემია (1949). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლით.

ლიტ.: Н. А. Тананаев (Некролог), «Журнал аналитической химии», 1959, т. 14, № 6.

ტანანარივე (Tananarive), მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ყოფ. სახელწოდება; იხ. *ანტანანარივუ*.

ტანატარი სევასტიან მოსეს ძე [7 (19). X. 1849, ოდესა, — 30. XI (13. XII). 1917, იქვე], რუსი ქიმიკოსი, ნოვოროსიის უნ-ტის (ოდესაში) პროფესორი (1896-იდან). 1880 გვიჩვენა, რომ ფუმარ- და მალეინმჟავა ჟანგვისას იძლევიან ორ იზომერულ ოქსიმჟავას (მოგვიანებით გამოირკვა, რომ ესენი ყურძნისა და მეზოღვინის მჟავებია). 1895 ტ-მა ტრიმეთილენი მაღალ ტემპ-რაზე გარდაქმნა პროპილენად. აღმოაჩინა ზეჟანგური ნაერთები.

ტანატოცენოზი, თანატოცენოზი (ბერძნ. thanatos — სიკვდილი და koinos — საერთო), დაღუპული ორგანიზმების ან მათი ნაშთების გროვა, რ-იც წარმოიშობა სტიქიური უბედურების (წყალდიდობა და სხვ.), ან მდინარის დინებით ხოტანილი ნაშთების თავმოყრის შედეგად.

ტანბური, ტამბური, თანბური (არაბ.-სპარს.), ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი. შედგება მსხლის ფორმის კორპუსისა და გრძელი ყელისაგან (1100—1300 *მმ*), რ-ზედაც 3 სიმია გადაჭიმული. ხმოვანებს პლექტრის საშუალებით.

ტანგა (Tanga), ქალაქი ტანზანიაში, ტანგის პროვ. ადმ. ცენტრი. 144 ათ. მცხ. (1978). ნავსადგური ინდ. ოკ. სანაპიროზე, რკინიგზის სადგური. კეების, საფეიქრო, მეტალ., ლითონისა და ხის დასამუშ. მრეწვ. საწარმოები.

ტანგანიკა (Tanganyika), ტბა აღმ. აფრიკაში, ზაირის, ტანზანიის, ზამბიისა და ბურუნდის ტერიტორიებზე. სიგრძე დაახლ. 650 *კმ*, სიგანე 40—80 *კმ*, ფართ. 34 ათ. *კმ*². მდებარეობს 773 *მ* სიმაღლეზე, ტექტონ. ქვაბულში. მაქს. სიღრმე 1470 *მ* (ბაიკალის შემდეგ სიღრმით მეორე მსოფლიოში). ნაპირები უმთავრესად სწორხაზოვანია, ადგილ-ადგილ მაღალი და ციცაბო. აუზის ფართ. 244,5 ათ. *კმ*². ერთვის მდ-ები მალაგარასი და რუზიზი; მდ. ლუკუგის საშუალებით ტ. უკავშირდება მდ. ლუალაბას (მდ. კონგოს ზემოთი). ტ. წელიწადში საშუალოდ 64,8 *კმ*³ წყალს იღებს. წყლის დონე მაღალია აპრ.-მაისში, დაბალი — ოქტ.-ნოემბერში. ზოგჯერ იცის სეიშები. წყალი მტკნარია. წყლის ტემპ-რა ზედაპირზე 23,6—23,8-იდან 26,5°C-მდეა. 400 *მ* ქვევით ტბის ფსკერამდე ტემპ-რა მუდმივია, დაახლ. 23°C. მყარი ტემპ-რული სტრატიფიკაციის გამო სიცოცხლისათვის ვარგისია მხოლოდ წყლის ზედა, 100—200 *მ* სისქის ფენა. ფაუნის დაახლ. 75% ენდემურია. ტ-ში ბინადრობს ბეჰემოთი, ნიანგი, ბევრია წყლის ფრინველი. თევზჭერა, ნაოსნობა. ნავსადგურებია: კიგომა(ტანზანია), ბუჟუმბურა (ბურუნდი), კალიმა (ზაირი). ტ. აღმოაჩინეს 1858 ინგლ. მოგზაურებმა რ. ბერტონმა და ჯ. სპიკმა.

ტანგანიკა (Tanganyika), ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის კონტინენტური ნაწილის სახელწოდება.

ტანგაჟი (ფრანგ. tangage), საფრენი აპარატის (მაგ., თვითმფრინავის) ან გემის კუთხური მოძრაობა ინერციის ძირითადი განივი ღერძის მიმართ. ტ-ის კუთხე წარმოიქმნება საფრენი აპარატის ან გემის გრძივ ღერძსა და ჰორიზ. სიბრტყეს შორის.

ტანგე კენძო (დ. 4. IX. 1913, იმაბარი), იაპონელი არქიტექტორი. არქიტ. განათლება მიიღო ტოკიოს უნ-ტში, რ-იც 1938 დაამთავრა. ააგო ჰიროსიმის მშვიდობის მემორიალური ცენტრი (1949—56), რ-შიც თავი იჩინა ტ-თვის დამახასიათებელმა თვისებამ — შუა საუკ. იაპ. არქიტ. მემკვიდრეობის შემოქმედებითად გააზრებამ. 1950—60-იან წლებში განიცადა *ლე კორბუზიეს* „ახალი კლასიციზმისა“ და *ბრუტალიზმის* გავლენა. ნამუშევრები: საკრებულო დარბაზი (კურასიკი, 1960). „გიმნაზიუმი“ (ტოკიო, 1963—64). 1961 გამოაქვეყნა ტოკიოს რეკონსტრუქციის გეგმა, რ-ის მიხედვითაც ქალაქი უნდა განაშენიანებულიყო ტოკიოს ყურეზე საგანგებოდ მოწყობილ კონსტრუქციებზე.

ტანგენსების თეორემა, ტრიგონომეტრიის თეორემა, რ-იც ამყარებს თანაფარდობას სამკუთხედის გვერდებსა და მათ პირდაპირ მდებარე კუთხეების ნარევარჯამისა და ნახევარსხვაობის ტანგენსებს შორის. სახელდობრ, თუ a და b სამკუთხედის გვერდების სიგრძეებია, ხოლო A, B — მოპირდაპირე კუთხეების სიდიდეები, მაშინ

$$\frac{a+b}{a-b}=\frac{\operatorname{tg}\frac{A+B}{2}}{\operatorname{tg}\frac{A-B}{2}}$$

(რეგიომონტანუსის ფორმულა).

ტანგენსი (ლათ. tangens — შემხები), ერთ-ერთი *ტრიგონომეტრიული ფუნქცია*; აღინიშნება tg სიმბოლოთი. მართკუთხა სამკუთხედში მახვილი კუთხის ტ. ეწოდება ამ კუთხის პირდაპირ მდებარე კათეტის ფარდობას ამავე კუთხესთან მიმდებარე კათეტთან.

ტანგენსოიდი, ბრტყელი წირი, რ-იც გამოსახავს ტანგენსის ცვლილებას მისი არგუმენტის (კუთხის) ცვლილებისას. ტ. შედგება (იხ. ნახ.) უსასრულო რაოდენობის ცალკეული კონგრუენტული წირებისაგან, რ-თაგან თითოეული მიიღება მეორისაგან პარალელური გადატანით Ox ღერძის გასწვრივ π-ს ჯერად სიდიდეზე. ტ. გადაკვეთს Ox ღერძს $\pm\pi n$ (ან $\pm 180°n$) წერტილებში, სადაც $n=0, 1, 2, \ldots$

ტანგენციური აჩქარება, მხები აჩქარება, *აჩქარების* მდგენელი, რ-იც მიმართულია სხეულის ტრაექტორიის მხების გასწვრივ.

ტანგო (ესპ. tango) არგენტინული, თანამედროვე სამეჯლისო ცეკვა. მისი რიტმული სტრუქტურა *ჰაბანერის* ექვივალენტურია. ტ. ამერიკასა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამეჯლისო ცეკვაა. არსებობს მისი საესტრადო ნაირსახეობა. ტ-ს რიტმი გამოიყენება საკრავიერ და ვოკალურ მუსიკაში. იგი შედის სამეჯლისო ცეკვების კურსის ძირითად პროგრამაში.

ტანდემი (ინგლ. tandem), 1. ერთგვაროვანი მოწყობილობების (დგუშიან მანქანათა ცილინდრების, ტუმბოების, მრავალადგილიანი ველოსიპედის საჯდომებისა და სხვ.) თანამიმდევრულად განლაგება ერთ ღერძზე. 2. ორმაგი მაბლოკირებელი გადამცემის მქონე ორადგილიანი, ორბორბლიანი *ველოსიპედი*. არსებობს საგზაო და სასპორტო ტ. (იხ. აგრეთვე *საველოსიპედო სპორტი*).

ტანდემ-მანქანა, ორმაგი მოქმედების ორცილინდრიანი *ორთქლის მანქანა*, რ-ის მცირე დიამეტრის ცილინდრში ორთქლი ფართოვდება და გადადის უფრო დიდი დიამეტრის ცილინდრში.

ტანეევი სერგეი ივანეს ძე [13 (25). XI. 1856, ელადიმირი, — 6 (19). VI. 1915, დიუდკოვო, ახლანდ. ზვენიგოროდის რ-ნი, მოსკოვის ოლქი; დაკრძალულია მოსკოვში], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. 1875 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია. მისი მასწავლებლები იყვნენ ნ. რუბინშტეინი და პ. ჩაიკოვსკი. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. 1878-იდან მოსკ. კონსერვ. პედაგოგი (ფორტეპიანო, მუსიკის თეორიული საგნები), 1881-იდან პროფესორი, 1885—89 დირექტორი. მის მოწაფეთაგან აღსანიშნავი არიან: ს. რახმანინოვი, ა. სკრიაბინი, ნ. მეტნერი, ზ. ფალიაშვილი, რ. გლიერი, ა. ალექსანდროვი, ა. გოლდენვეიზერი, კ. იგუმნოვი და სხვ. 1905-იდან ეწეოდა კერძო (უსასყიდლო) პედ. მოღვაწეობას (135 მოსწ.). ტ. იყო ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი სახ. კონსერვატორიისა (1906-იდან), მუს. სამეცნ. საზ-ბისა (1908-იდან მუს.-თეორ. ბ-კა). თანამშრომლობდა მოსკ. მუს.-ეთნოგრ. კომისიაში [80-იან წლებში ჩაიწერა მრავალი კავკ. (მ. შ. პირველმა — სვანური ხალხ.), უკრ. და სხვ. სიმღერა]. ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპერა „ორესტე" (1895, პეტერბ. მარიამის თეატრი); კანტატები — „მეგლი დავიდი ამა ქვეყნად მე ხელთუქმნელი" (1880), „იოანე დამასკელი" (1884), „ფსალმუნის წაკითხვის შემდეგ" (1915); გუნდები, რომანსები, სიმებიანი კვარტეტები. ტ-ის შემოქმედებაში კლასიკის ტრადიციები ორგანულადაა შერწყმული რუს. (განსაკუთრებით ჩაიკოვსკის) და უახლეს (XX ს. დასაწყისისათვის დამახასიათებელ) მუს. ტენდენციებთან.

„ტანენბაუმ" (გერმ. Tannenbaum—საშობაო ნაძვის ხე), გერმანელ ფაშისტთა ჯარების შვეიცარიაში შეჭრის გეგმის კოდური სახელწოდება. „ტ"-ის განხორციელება გათვალისწინებული იყო 1940 საფრანგეთის განადგურების შემდეგ. ფაშისტური გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმისათვის მზადებისა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმ.-ფაშისტთა ჯარების შემდგომი დამარცხებების გამო „ტ"-ის გეგმა არ განხორციელდა.

ტანვარჯიში, იხ. *სპორტული ტანვარჯიში*.

ტან ვიეტ კატ მანგ დანგი (ახალი ვიეტნამის რევ. პარტია), ვიეტნამის რევოლუციური წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ორგანიზაცია, რ-იც ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ინტელიგენციისაგან შედგებოდა. შეიქმნა 1925 ჰოი შუკ ვიეტნამის (ვიეტ. განახლების საზ-ბა) სახელწოდებით. მრავალჯერ შეიცვალა სახელი. ვიეტ. რევ. ახალგაზრდობის ამხანაგობის (მარქსისტული ორგანიზაცია) გავლენით თანდათან გადავიდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პოზიციებზე. 1927 წამოაყენა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების ამოცანა. 1930 ორგანიზაციის ძირითადი შემადგენლობა ვიეტ. კომუნისტურ პარტიაში შევიდა (შეიქმნა 1930 წ. 3 თებ.).

ტანზანია (Tanzania), ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა (United Republic of Tanzania), სახელმწიფო აღმ. აფრიკაში. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ტ-ის ტერიტ. ჰოიცავს კონტინენტურ ნაწილსა (ტანგანიკა) და კ-ებს (ზანზიბარი, პემბა). ფართ. 945,1 ათ. კმ². მოსახლ. 19,2 მლნ. კაცი (1981). დედაქალაქი — დარეს-სალამი. ოფიც. ენები — სუაჰილი და ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 26 აპრ. — კავშირის დღე (1964). ოფიც. კალენდარი — გრიგორიანული და მუსლ. (ჰიჯრა). ფულის ერთეულია ტანზანიის შილინგი. ადმინისტრაციულად ტ. იყოფა 25 პროვინციად.

ტ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1977 კონსტიტუცია, რ-ის თანახმად ქვეყნის ხელმძღვ. ძალას წარმოადგენს მმართველი რევ. პარტია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და ერთპალატიან პარლამენტს — ეროვნ. კრებას. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-იც ამავე დროს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიცაა (ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით). პრეზიდენტი ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს ეროვნ. კრების წევრთაგან. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, რ-საც მეთაურობს პრეზიდენტი.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ტ-ის ტერიტ. უმეტესი ნაწილი უჭირავს აღმ. აფრ. ზეგანს (სიმაღლე 1000 *მ*-ზე მეტი), დას. და სამხრ.-დას. საზღვრის გაყოლებით გადაჭიმულია აღმ. აფრ. რღვევების ზონის ნასხლეტი ღრმულების სისტემა. ზეგნის აღმ. კიდეს დანაწევრებული ლოდა და საფეხურებრივ-ლოდა რელიეფი აქვს. რღვევების ზონა მაღალსეისმურია. ბევრია ვულკანი, მ. შ. კილიმანჯარო (5895 *მ*, აფრ. უმაღლესი წერტილი), მერუ (4565 *მ*) და სხვ. აღმით, ინდოეთის ოკ. სანაპიროს გაყოლებით, დაბლობია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება: ალმასი, ოქროს, კალის, ვოლფრამის, ტიტანის, ნიობიუმის მადანი, ქვანახშირი, სუფრის მარილი, ქარსი, ოპტ. კვარცი, ძვირფასი ქვები, აპატიტი, გრაფიტი და სხვ.

ჰავა ეკვატორულ-მუსონურია, ცხელი, ყველაზე თბილი თვის (ოქტ. ან ნოემბ.) საშ. ტემპ-რა შიგა ზეგანზე 20—22-იდან 25—27°C-მდეა, ყველაზე ცივისა (ივლ. ან აგვ.) 12—15-იდან 20—22°C-მდე. მთაში გამოხატულია სიმაღლებრივი სარტყლურობა. ნალექები 500—700 *მმ*-იდან 1000—1500 *მმ*-მდე წელიწადში.

ჭარბობს მოკლე, ჭორომიანი მდ-ები, რ-თაგან უღიდესია რუფიჯი, რუვუმა, პანგანი. ტ-ს ნაწილობრივ ეკუთვნის დიდი მტკნარი ტბები: ვიქტორია, ტანგანიკა, ნიასა (მალავი), მთლიანად — გაუდინარი მლაშე ტბები: რუკვა, ეიასი, ნატრონი, მანიარა.

ნიადაგები უმთავრესად ყავისფერ-წითელია, გვალვიან რ-ნებში — წითელ-მურა, ადგილ-ადგილ — დამლაშებული. ქვეყნის დას. და სამხრ. რ-ნებში ტროპ. მშრალი ფოთოლმცვივანი ნათელი ტყეებია. სანაპირო დაბლობზე პარკული სავანაა, გვალვიან რ-ნებში — მშრალი დაბალბალახოვანი სავანა. მთის კალთებზე ნოტიო მარადმწვანე ტყეებია, ოკეანის ნაპირის გაყოლებით ადგილ-ადგილ — მანგროვიანი.

ცხოველთა სამყაროდან ბინადრობს სპილო, შავი მარტორქა, ბეჰემოთი, კამეჩი, ანტილოპი, ზებრა, ჟირაფი; მტაცებლები (ლომი, ჯიქი, ავაზა, აფთარი, ტურა), მაიმუნები (უმთავრესად პავიანები). მდიდარია ფრინველთა ფაუნა (გვხვდება სირაქლემა). არის ნიანგები, გველები. გავრცელებულია ბუზი ცეცე.

მოსახლეობა. ტ-ის მოსახლ. დაახლ. 98% აფრიკელი ხალხებია, რ-ებიც ძირითადად განეკუთვნებიან აღმ. *ბანტუს*. ინდ. ოკ. სანაპიროზე ცხოვრობენ სუაჰილი, ველის ჩრდ.-აღმ. ნაწილში — მასაები, რ-თა ენა მიეკუთვნება ნილოტურ ოჯახს. ცენტრ. ნაწილში სახლობენ აგრეთვე ქუშიტურ და კოისანურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. ცხოვრობენ აგრეთვე ინდიელები, პაკისტანელები, არაბები, მოსახლ. ნახევარზე მეტი ადგილ. ტრად. რწმენების მიმდევარია, დანარჩენი — მუსლიმანი და ქრისტიანია.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 80%-ზე მეტი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1982). ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული ვიქტორიას ტბის რ-ნი, კილიმანჯაროსა და მერუს კალთები, რუნგვეს მთები, ყველაზე ნაკლებად — შიგა მთიანეთი. მოსახლ. დაახლ. 10% ცხოვრობს ქალაქში, რ-თაგან მნიშვნელოვანია დარეს-სალამი (900 ათ. მცხ., 1981), ზანზიბარი, ტანგა, მვანზა, არუშა, მოში, მოროგორო, დოდომა.

ისტორიული ნარკვევი. ტ-ის ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროიდან დასახლდა. ავტოქთონური მოსახლეობა — კოისანების ტომები — ბუშმენების მონათესავე ხალხები იყვნენ. შემდეგ მოვიდნენ მონადირე და მიწათმოქმედი ბანტუს ხალხები და მესაქონლე ნილოტები. VII—VIII სს-ში არაბებმა აღმ. აფრიკის სანაპიროზე სავაჭრო დასახლებები შექმნეს. XVI ს-ში ტ-ის სანაპირო და კ-ები ხელში ჩაიგდეს პორტუგალიელებმა. XVIII ს-ში პორტუგალიელები განდევნეს ომანის სასულთნოს არაბებმა. XIX ს. დასაწყ. კ. ზანზიბარსა და ტ-ის სანაპიროს მასკატის სულთნები განაგებდნენ. 1856 შეიქმნა დამოუკიდებელი ზანზიბარის სასულთნო, რ-იც 60—80-იან წწ. მთელი აღმ. აფრ. სავაჭრო ცენტრი გახდა.

1884 აღმ. აფრ. ნაწილი დაიპყრო გერმანიამ. შეიქმნა კოლონია — გერმ. აღმ. აფრიკა, რ-მაც მოგვიანებით მთელი ტანგანიკა მოიცვა. 1890 ზანზიბარზე ინგლ. პროტექტორატი დამყარდა. აფრიკელებისაგან მიტაცებულ მიწებზე გერმ. კოლონისტებმა გააშენეს კაუჩუკისა და ყავის პლანტაციები. მძიმე ექსპლუატაცია იწვევდა აფრიკელთა აჯანყებებს, მათგან მნიშვნელოვანი იყო ბუშირისა (1888—89) და „მაჯი-მაჯის" (1905—07) აჯანყებები.


I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ტ-ის ტერიტ. გერმანიასა და ინგლისს შორის საომარ მოქმედებათა ასპარეზი გახდა. ომის შემდეგ ტანგანიკად წოდებული ტ-ის სახმელეთო ნაწილი გადაეცა ბრიტანეთს სამანდატო (1922—46), შემდეგ კი—სამეურვეო (1946—61) ტერიტორიად. ინგლ. კოლონიზატორებმა შემოიღეს ირიბი მმართველობის სისტემა. ამ დროიდან ჩაისახა ეროვნ.-განმათ. მოძრაობა, რ-იც განსაკუთრებით გაიზარდა II მსოფლიო ომის შემდეგ. 1954 შეიქმნა პარტია ტანგანიკის აფრიკის ეროვნული კავშირი (ტანუ). 1957 კი — აფრო-შირაზის პარტია (აშპ). ტანგანიკისა და ზანზიბარის



ს. ტანეევი.



ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.



ხალხების ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. 1961 წ. 9 დეკ. ტანგანიკამ დამოუკიდებლობა მიიღო. ერთი წლის შემდეგ კი რესპუბლიკად გამოცხადდა, რ-ის პრეზიდენტი გახდა ტანუს პრეზიდენტი —ჯ. ნიერერე. 1963 წ. 10 დეკ. — ზანზიბარმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1964 წ. 12 იანვ. ზანზიბარზე მოხდა ანტიფეოდ. რევოლუცია, სულთნის ხელისუფლება დაემხო. 1964 წ. 26 აპრ. ტანგანიკა და ზანზიბარი გაერთიანდა და ოქტ-იდან ეწოდა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა (ტგრ). 1961 წ. 14 დეკ-იდან არის გაეროს წევრი (ამ ორგანიზაციაში ტანგანიკის შესვლიდან). 1965 დროებითი კონსტიტუციით ტ-ის ორივე ნაწილი თანასწორუფლებიანად გამოცხადდა. მთავრობამ ღრმა სოც. გარდაქმნები განახორციელა. 1967 ტანუს ეროვნ. კონფერენციაზე მიიღეს არუშის დეკლარაცია, რ-იც ითვალისწინებდა ქვეყნის არაკაპიტალ. გზით განვითარებას. ჩატარდა უცხ. ბანკების, სამრეწვ. და სავაჭრო საწარმოების, პლანტაციების ნაციონალიზაცია, სოფლებში — გლეხების კოოპერირება „სოციალისტური სოფლების" შექმნის გზით. გარდაქმნები მოხდა განათლების, ჯანდაცვის, კულტურის სფეროებშიც. 1977 წ. 5 თებ. ტანუსა და აშშ-ს ბაზაზე შეიქმნა რევ. პარტია (ჩამა ჩა მაპინდუზი, ჩჩმ) მმართველი და ერთადერთი პარტია ქვეყანაში. ჩჩმ-ს მთავარი მიზანია სოციალ. საზ-ბის აშენება. მისი ძირითადი საპროგრამო დოკუმენტია ტანუს პროგრამა—არუშის დეკლარაცია. პარტია ემყარება პრინციპს — „სოციალიზმის აშენება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით", რ-იც კიდევ ერთხელ დაადასტურა 1982 ოქტ-ში ჩატარებულმა რევ. პარტიის II ყრილობამ.

საგარეო პოლიტიკის პრინციპებად აღიარებულია მიუმხრობლობა, ანტიიმპერიალიზმი და ანტიკოლონიალიზმი. საბჭ. კავშირთან დიპლ. ურთიერთობა დამყარდა 1961.

ეკონომიკა. ტ. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული აგრ. ქვეყანაა. 1967 არუშის დეკლარაციის შემდეგ ქვეყანა დაადგა განვითარების არაკაპიტალ. გზას. გატარდა აგრ. რეფორმა, მიიღეს ეკონ. და სოც. განვითარების გეგმები. სახელმწიფო აკონტროლებს სამრეწვ. წარმოების უმეტეს ნაწილს, საგარეო და საბითუმო საშინაო ვაჭრობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობასა და ენერგეტიკას.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა, რ-ის წამყვანი დარგია მემცენარეობა. სიზალისა (60,6 ათ. ტ, 1982) და მიხაკის (17 ათ. ტ, 1982) ექსპორტით ტ. I ადგილზეა მსოფლიოში. მოპყავთ აგრეთვე (ათ. ტ, 1982): ბამბა — 41,2, ყავა— 53,4; ჩაი — 16,6, აკაჟუს კაკალი — 38,2, თამბაქო — 9,9, ხორბალი — 27,1, სიმინდი — 87,7, ბრინჯი—14,9. 1982 ტ-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 16,6, ცხვარი და თხა —8,9, ღორი— 0,08, შინაური ფრინველი — 16,2 მლნ. ფრთა. მისდევენ თევზჭერას (დაახლ. 3443 ათ. ტ, 1982).

მრეწვ. სუსტადაა განვითარებული. იღებენ ალმასს, ოქროს, კალას, სუფრის მარილს, ქარსს. 1982 ელექტროსადგურების სიმძლავრემ შეადგინა 419,9 *მეგვტ*, ელექტროენერგიის წარმოებამ — 830 მლნ. *კვტ·სთ*. დამოუკიდებლობის წლებში განვითარდა ნავთობგადასამუშ., ცემენტის, საფეიქრო მრეწვ., არის კვების (შაქრის, რძის, თამბაქოს), ხის დასამუშ., ტყავის, ფეხსაცმლის, საპარფიუმერიო, ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია დარ-ეს-სალამი, მვანზა, არუშა.

რკინიგზის სიგრძეა დაახლ. 4 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა — 32 ათ. *კმ*, აქედან 2,8 ათ. *კმ* მაგარსაფრთიანია (1982). 1982 ავტოპარკში იყო 124 ათ. ავტომობილი. საზღვ. ნავსადგურ დარ-ეს-სალამის ტვირთბრუნვაა 2,1 მლნ. *ტ* (1982). ვიქტორიას ტბა სანაოსნოა. მთავარი ნავსადგურია მვანზა, საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია დარ-ეს-სალამის მახლობლად.

1982 ექსპორტმა შეადგინა 4697 მლნ. შილინგი, იმპორტმა — 9550 მლნ. გააქვთ ყავა, ბამბა, სიზალი, მიხაკი, აკუჟუს კაკალი, ალმასი, ჩაი. შეაქვთ მანქანამოწყობილობა, ნავთობი, ნავთობპროდუქტები, სურსათი, ლითონები. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: დიდი ბრიტანეთი, გფრ, აშშ, ინდოეთი, ნიდერლანდი, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, კენია.

განათლება. მოსახლ. 75% წერა-კითხვის უცოდინარი იყო; მისი წარმატებით ლიკვიდაციისათვის 1973 ტ. დაჯილდოვდა ნ. კრუპსკაიას სახ. საერთაშ. პრემიით. 7-წლიან დაწყ. სკოლაში სწავლება სუაჰილი ენაზეა, სწავლობენ ინგლისურსაც (1980 წ. 1200 ათ-მდე მოსწ.). საშ. სკოლა 6-წლიანია (4+2). სწავლება ინგლ. ენაზეა (სწავლობდა 44 ათ-მდე მოსწ.). 1—5-წლიანი პროფმომზადება ხორციელდება დაწყ. სკოლის ან 2-წლიანი არასრული საშ. სკოლის ბაზაზე (1,5 ათ-მდე მოსწ.), დარ-ეს-სალამში არის ტექ. კოლეჯი. მასწავლებლებს დაწყ. სკოლებისათვის ამზადებს 2-წლიანი პედ. სასწავლებლები არასრული საშ. სკოლის ბაზაზე (4,2 ათ. მოსწ.). დარ-ეს-სალამში არის უნ-ტი (1961; 2,3 ათ. სტუდენტი), ეროვნ. ბ-კა (ფილიალები აქვს სხვა ქ-ებში. საერთო ფონდი 900 ათ. ტ.), ტ-ის ეროვნ. მუზეუმი (1937) და სხვ. სახელმწ. მუზეუმი არის ზანზიბარში.

ტ-ში გამოდის დაახლ. 40-ზე მეტი დასახელების ჟურნალი და გაზეთი. სახელმწ. საინფორმაციო სააგენტო დაარსდა 1976 დარ-ეს-სალამში. რადიომაუწყებლობა მუშაობს 1956-იდან, ტელევიზია— 1973-იდან.

ლიტერატურა. ტ-ის ლიტ-რა ვითარდება სუაჰილსა და ინგლ. ენებზე. ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილობითი ტექსტი „უტენდი ჰარეკალი" შეიქმნა 1711—28. ტ-ის კლასიკურმა ლიტ-რამ (XVIII ს. — XX ს. დასაწყ.) ისლამის ძლიერი გავლენა განიცადა. პოეზიის ძირითადი ჟანრები იყო პოემა (ისტ., დიდაქტ., ფილოს. ხასიათისა) და ლირიკა. გამომუშავებულია კანონიზებული პოეტური ფორმები: უტენდი (ეპიკური და დიდაქტ. ლექსები), მაგაზი (მოთხრობა მოციქულისა და მის თანამოსაგრეთა შესახებ), მაშაირები (სატრფიალო და პოლიტ. ლექსები). სუაჰილი ენაზე ქვეყნდება სამეცნ.-პოპულ. და პრაქტ. ხასიათის წიგნები, მსოფლიო ლიტ-რის ნიმუშების თარგმანები.

ახ. ლიტ-რის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია რ. შააბანი (1909—62). 60-იანი წლებიდან ტ-ში ვითარდება ინგლისურენოვანი ლიტ-რა. მისი ძირითადი ჟანრებია მოთხრობა და რომანი (მწერლები პ. პ. პალანგო, დ. 1939; გ. კალიმუგოგო, დ. 1947).

ხელოვნება. ტ-ის ტერიტორიაზე მღვიმეებში აღმოჩენილია ზედა პალეოლითისა და ნეოლითის ხანის კლდის მხატვრობა. ქ-ებში არაბთა ბატონობისა (VII—VIII სს.) და მუსლ. გავლენის (IX—XV სს.) ხანიდან შემონახულია სასახლეები, მეჩეთები, საცხოვრ. სახლები. ტ-ის ევრ. კოლონიად გადაქცევის შემდეგ (XIX ს. დასასრულიდან) ევრ. არქიტ. პროექტებით შენდება ახ. საპორტო ქ-ები (დარ-ეს-სალამი) და სავაჭრო ცენტრები (მოში, დოდომა). 1964-იდან იწყება საზ. და საცხოვრ. სახლების მშენებლობა. შედგა ქ. ზანზიბარის დაგეგმარების პროექტი.

შემორჩენილია ვასუკუმას და ვაჰეჰეს ხალხების სვეტისებრი საკულტო ხის ფიგურები, ანთროპომორფული ნიღბები. გავრცელებულია თიხის ქანდაკება. 1964-იდან იქმნება ფერწერის ერთენ. სკოლა (ფერმწერები ს. ჯ. ნტირო, ტ. ფ. აბდულა). გავრცელებულია ხეზე კვეთა.

ტ-ის ტერიტორიაზე კოლონ. ბატონობის დროს იყო სცენისმოყვარულთა ინგლ. დასები, რ-თაც ჰქონდა მუდმივი შენობები ქ-ებში დარ-ეს-სალამში, მოროგოროსა და არუშაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წარმოიშვა აფრ. კოლექტივები, რ-ებიც დგამდნენ სპექტაკლებს ინგლ. და სუაჰილი ენაზე. 1967 დარ-ეს-სალამის უნ-ტთან გაიხსნა თეატრ. განყ-ბა. მისი ორგანიზატორები იყვნენ ბობ ლეშოაი და გოდვინ კადუმა.

ლიტ.: Жуков А. А., Миссюгин В. М., О суахилийской литературе, *კრ.:* Фольклор и литература народов Африки, М., 1970; Чижов Н. Н., Танзания, М., 1972.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

ტანი, ჩინეთის იმპერატორთა დინასტია (618—907), დაარსა ლი იუანმა. მისმა ვაჟიშვილმა ლი შიმინმა გლეხთა აჯანყებების ჩახშობისა და ფეოდ. სეპარატული ძალების დამორჩილების შემდეგ ქვეყანა გააერთიანა (628). გაძლიერდა ცენტრ. ხელისუფლება, სრულყოფილი გახდა სამხ. ორგანიზაცია (ე. წ. ფუბინის სისტემა). დინასტიის პირველი იმპერატორების დროს განვითარდა სახელმწ. საკონკურსო გამოცდების სისტემა, რ-ის მიზანი იყო დინასტიის ერთგული ფეოდ. კლასის სწავლულთა ფენის (იხ. *შენში*) შექმნა. ამავე დროს ცენტრ. საიმპერატორო ხელისუფლების სასარგებლოდ მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა. იმპ. ლი ჯის (განაგებდა 650—683) ცოლმა უ ძეტიანმა სასახლის გადატრიალების შედეგად ხელთ იგდო ძალაუფლება და ერთპიროვნულად განაგებდა ქვეყანას 684—705. VIII ს. შუა წლებამდე დინასტია აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. VIII ს. შუა ხანებში სამხ. გუბერნატორების (ძედუშების) გაძლიერების გამო (იხ. *ან ლუ-შანი*) დინასტიის ძალაუფლება დასუსტდა. საბოლოოდ ტ-ის ბატონობა შეირყა გლეხთა აჯანყების შედეგად. უკანასკნელი იმპ. ლი ჯუ (904-907) დაამხო თავის დროზე გლეხთა აჯანყების ყოფილმა ხელმძღვ. ჯუ ვენმა, რ-მაც უღალატა გლეხებს და ტ-ის მბრძანებლად გადაიქცა.

ტანი, სიგრძის საზომი ერთეული საქართველოში. დაახლ. 4 *ადლს* (4—5 *მ*) შეადგენდა. წერილობით წყაროებში გვხვდება XVIII ს. დასაწყისიდან. აკად. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, ტ. ერთი ადამიანისათვის სამოსლად სამყოფი ქსოვილი იყო.

ტანიე, მთა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ-ების ხევსურეთის არაგვისა და არღუნის სათავეებში, კალოთანის უღელტეხილის აღმ-ით, სიმაღლე 3499 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. *მ. უთმელიძე.*

ტანიეს ტბა, კარული ტბა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 2232 *მ* სიმაღლეზე. სარკის ფართ. 0,033 *კმ*², უდიდესი სიღრმე 7,6 *მ*, წყლის მოცულობა 123



ტანზანია. ქ. ზანზიბარის ნაწილის ხედი

ათ. მ³. საზრდოობს თოლების, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. გამდინარეა. წყლის დონე დაბალია ზამთარში, მაღალია—გაზაფხულ-ზაფხულში. წყალი მტკნარია.. თევზი არ იცის. *ი. აფხაზავა.*

ტანინი (ფრანგ. tannin < tanner — ტყავის თრიმვლა), მცენარეებში ფართოდ გავრცელებული ფენოლური შენაერთი; ცილებსა და ზოგიერთ ბუნებრივ პოლიმერთან (ცელულოზა, პექტინოვანი ნივთიერებები) ქმნის მტკიცე კავშირს. იყოფა ორ კლასად: მრავალატომიანი სპირტიდან (მაგ., გლუკოზა) წარმოქმნილ და ფენოლური შენაერთების (მაგ., კატექინები) კონდენსაციის გზით მიღებულ ტ-ებად. ტ-ები გავრცელებულია მერქანში, ფოთლებსა და მთრიმლავი მცენარეების ნაყოფებში. იყენებენ ტყავის მოსათრიმლავად, ბუნებრივი ქსოვილის შესაღებად.

მედიცინაში ტ-ს ფაღარათის საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ. ტ-ის წყლიანი ხსნარი კანის დამწვარ ნაწილზე დაღებისას ბოჭავს შხამიან ცილოვან პროდუქტებს და ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას.

ტანისი (ბერძნ. Tanis; ძვ. ეგვ. ქალაქის ჯანეტის ბერძნ. სახელწ. ბიბლიური ცოანი), ეგვიპტის ძვ. ქალაქი, მდებარეობდა ნილოსის დელტის აღმ. ნაწილში, ახლანდ. მენზალის ტბის მახლობლად. ძვ. წ. XVII—XIII სს-ში ტ-ს ავარისი ეწოდებოდა, XIII—XII სს-ში — პერ-რამსესი (რამსეს II-ის რეზიდენცია). ტ-ის მკვიდრი იყო XXI დინასტიის დამაარსებელი ნესუბანებდედი (ბერძნ. სმენდესი), რ-მაც ძვ. წ. XI ს-ში ტ. ეგვიპტის დედაქალაქად გამოაცხადა. ბიზანტ. ხანაში ტ. ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო. ამჟამად ტ-ის ადგილას მეთევზეთა დაბა სან-ელ-ჰაგარი მდებარეობს. 1929—51 ტ-ს იკვლევდა ფრანგი არქეოლ. პ. მონტე. გამოვლინდა XXI—XXII დინასტიის მეფეთა თითქმის ხელუხლებელი აკლდამები.

ტანის ხეობა, იხ. *ატენის ხეობა.*

ტანიუგი (TANIUG, Telegrafska Agencija Nova Iugoslavija — დეპეშათა სააგენტო ახალი იუგოსლავია), იუგოსლავიის საინფორმაციო სააგენტო. დაარსდა 1943 წ. 5 ნოემბ. პარტიზანების მიერ განთავისუფლებულ ქ. იაიცეში. ამჟამად ბელგრადშია. იუგოსლ. გაზეთებს, რადიოსა და ტელევიზიას აწვდის საშინაო და საერთაშ. ინფორმაციას, იუგოსლავიაში აქვს 90 განყ-ბა, საზღვარგარეთ ჰყავს 30 კორესპონდენტი. 40-ზე მეტ უცხ. სახელმწიფოს უცვლის ინფორმაციას. გამოსცემს ბიულეტენებს და ყოველთვიურ გაზეთს.

ტანკა, მოკლე სიმღერა, იაპონური პოეზიის უძველესი ჟანრი. მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობით გაწყობილი ოცდათვრამეტმარცვლიანი (5-7-5-7-7) ხუთტაეპიანი ურითმო ლექსი. შინაარსით შეიძლება იყოს პეიზაჟური, სატრფიალო, ყოფის ამაოებაზე დამფიქრებელი თხზულება. ტ-ს ახასიათებს ლაკონიურობა, ფორმის სინატიფე, ქარაგმულობა, გრძნობების კონცენტრაცია, სახეების ასოციაციურობა, აზრის ბოლომდე ართქმა, ექსპრომტულობა. ტ-ს უბადლო ოსტატები იყვნენ ივანო ჰიმე (IV ს.), კაკინომოტო ჰიტომარო, *იამაბე აკაჰიტო* (VIII ს.), *არივარა ნარიჰირა.*

ტანკერი (ინგლ. tanker<tank — ცისტერნა, ავზი, რეზერვუარი), ჩასასხმელი გემი, გემი, რ-შიც ასხამენ თხევად ტვირთს და გადაზიდავენ. კერძოდ, ტ-ით ეზიდებიან ნავთობსა და მისი გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს, გათხევადებულ აირებს, საკვებ პროდუქტებს (ზეთი, რძე, ბადაგი, ვეშაპის ცხიმი, ღვინო და სხვ.), ქიმ. პროდუქტებს (მაგ., მჟავა, სპირტი), გამდნარ გოგირდს, ასფალტს, მტკნარ წყალს და სხვ.

ტ. ერთგემბანიანი თვითმავალი გემია; აქვს სამანქანო განყ-ბა. საყოფაცხოვრებო და სასამსახურო სათავსები, გემის კორპუსის ნაკრები სისტემა. სატვირთო სათავსები რამდენიმე განივი და 1—3 გრძივი ტიხრით იყოფა ტანკებად, რ-თაგან ზოგიერთში მხოლოდ წყლის ბალასტს ასხამენ. ტ-ით გადაზიდავენ როგორც ერთი, ისე სხვადასხვა სახის ტვირთს; ტვირთავენ დახურული მილსადენებით, განტვირთავენ გემის ტუმბოებით. გაძგიფული ტვირთის (მაზუთი, ბიტუმი და სხვ.) შესათბობად ტანკებს აქვს თბოგადამცემი. ტ-ს აქვს აგრეთვე ხანძრის თავიდან ასაცილებელი და მასთან საბრძოლო საშუალებები. უტვირთო ცურვის დროს *წლვაოსნური თვისებების* გასაუმჯობესებლად საბალასტო ტანკებთან ერთად ზოგჯერ სხვა ტანკებშიც ასხამენ წყალს. ტ-ების ტვირთამწეობაა 500 ათ. ტ და მეტი.

ტანკი მაქსიმ (ნამდვ. სახელი და გვარია ევგენი ივანეს ძე სკურკო) [დ. 4 (17). IX. 1912, სოფ. პილკოვშჩინა, ახლანდ. მინსკის ოლქი], ბელორუსი საბჭ. პოეტი; ბელორ. სახ. პოეტი (1968), ბელორ. სსრ აკად. აკადემიკოსი (1972), ლენინური პრემიის ლაურეატი (1978). სოციალ. შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1936-იდან. ტ-ის ძირითადი პოეტური კრებულებია „ეტაპებზე" (1936), „შტოშის ფერი" (1937), „ცეცხლოვან ჰორიზონტს მიღმა" (1945), „რათა უწყოდენ" (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1948), „ელვის კვალი" (1957), „პური ჩემი არსობისა" (1962), „იქმენინ ნათელი" (1972), „Ave მარია". (1980) და სხვ. სსრკ VII—IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ბელორ. სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი (1966-იდან). დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტანკი (ინგლ. tank — ცისტერნა, ავზი), მთლიანად შეჯავშნული მუხლუხა საბრძოლო მანქანა. პირველი შეჯავშნული საბრძოლო მანქანების (რ-თაც შემდეგ ტ-ები უწოდეს) პროექტები 1911—15 შექმნეს რუს., დიდი ბრიტ., ავსტრ.-უნგრ. ინჟინრებმა. ა. პოროხოვშჩიკოვის საბრძოლო მანქანა („ეეზდეხოდი") 1915 დაამზადეს. ტ. პირველად გამოიყენეს ინგლისელებმა I მსოფლიო ომში (1914—18) 1916 წ. 15 სექტ. მდ. სომაზე ბრძოლის დროს.

სსრკ-ში მსუბუქი ტ-ების გამოშვება დაიწყო 1928-იდან. 1931—39 გამოუშვეს მცირე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე ტ-ები, რ-ებიც გამოიყენეს ხასანის ტბისა და მდ. ხალხინ-გოლის ბრძოლებში, სსრკ-ფინ. ომსა (1939—40) და დიდი სამამულო ომის (1941—45) დასაწყისში. 1940 შეიქმნა ტ-ების ახ. ნიმუშები (მცირე ტ-40, მსუბუქი ტ-50, საშუალო ტ-34 და მძიმე ჰ3), რ-ებიც საბრძოლო თვისებებით მნიშვნელოვნად სჯობდნენ თავიანთ წინამორბედ და შესაბამისი ტიპის უცხოურ ტ-ებს. ომის დროს ტ-ების ბაზაზე შეიქმნა *თვითმავალი საარტილერიო დანადგარები* (თსდ). 1970-იანი წლებიდან სხვადასხვა ქვეყანაში უშვებენ ერთი ძირითადი სახეობის ტ-ს, რ-იც განკუთვნილია სხვადასხვა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. ტ-ის ძირითადი იარაღია სპეც. ზარბაზანი (105 *მმ* და მეტი კალიბრისა), დამხმარე — ზარბაზანთან შეწყვილებული და საზენიტო ტყვიამფრქვევები; ეკიპაჟი — 3—4 კაცი, სიჩქარე — 41—65 *კმ/სთ*, მასა — 36—48 *ტ*.

ლიტ.: Косырев Е. А., Орехов Е. М., Фомин Н. Н., Танки, М., 1973; Нерсесян М. Г., Камендева Ю. В., Бронетанковая техника армий капиталистических государств, М., 1964; Ротмистров П. А., Танки на войне, 4 изд., М., 1975.

ტანკსაწინააღმდეგო არტილერია, სახმელეთო არტილერიის სახეობა, რ-ის დანიშნულებაა ტანკებისა და სხვა შეჯავშნული მიზნების განადგურება; იყენებენ აგრეთვე ცოცხალი ძალისა და საცეცხლე საშუალებების წინააღმდეგ საბრძოლველად. საეც. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი სხვადასხვა არმიებში გაჩნდა XX ს. 20-იანი წწ. ბოლოს, წითელ არმიაში — 30-იან წლებში. ტ. ა-ს აქვს ჭურვის დიდი საწყისი სიჩქარე, სწრაფმსროლელობა, ფენილი ტრაექტორია. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი შეიძლება იყოს მისაბმელი ან თვითმავალი.

ტანკსაწინააღმდეგო თოფი (ტსთ), დაკუთხვილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის დანიშნულებაა დაჯავშნილი მიზნების (მსუბუქი და საშ. ტანკები, ჯავშნიანი მანქანები და სხვ.) განადგურება ცეცხლგამჩენი ტყვიებით 500 *მ*-მდე მანძილზე. ტსთ I მსოფლიო ომის (1914—18) დასასრულს გაჩნდა. დიდ სამამულო ომში (1941—45) წითელი არმია შეიარაღებული იყო 1941 ნიმუშის 14,5 — *მმ* ვ. დეგტიარიოვის ერთჯერადი სისტემისა (მასა 16 *კგ*) და ს. სიმონოვის თვითსატენი სისტემის (მასა დაახლ. 21 *კგ*) ტსთებით. ომის შემდეგ ტსთ შეიარაღებიდან მოიხსნა.

ტანკსაწინააღმდეგო მართული რეაქტიული ჭურვი (ტსმრჭ), ტანკსაწინააღმდეგო მართული რაკეტა, ტანკებისა და სხვა შეჯავშნული მიზნების გასანადგურებლად განკუთვნილი იარაღი. 1950—60-იანი წლებიდან ამ იარაღით აღიჭურვა მრავალი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საერთო-საჯარისო ქვეგანაყოფები, ნაწილები, შენაერთები. ზოგი ტანკი, ვერტმფრენი. მისი ძირითადი თვისებაა მოძრავ და უძრავ მიზანში მოხვედრის მაღალი სიზუსტე (მოხვედრის ალბათობა 70—90%), ჯავშანგამტანობა 400—500 *მმ* (3—4 ათ. *მ* მანძილიდან). აქვს ხელის, ნახევრად ავტომატური, კომბინირებული გამიზვნის სისტემა ან თვითგამიზვნის სისტემა. მასის მიხედვით განარჩევენ მსუბუქ (5—15 *კგ*), საშუალო (15—40 *კგ*) და მძიმე (40 *კგ*-ზე მეტი) ჭურვებს; არის გადასატანი, გადასაზიდი, თვითმავალი, აგრეთვე თვითმფრინავისა და ვერტმფრენისათვის განკუთვნილი ჭურვები. უშვებენ როგორც უშუალოდ გრუნტიდან — ყუთიდან, კონტეინერიდან, ისე გადასატანი ტიპის ან ავტომობილზე, ჯავშანტრანსპორტიორზე, ტანკზე, ვერტმფრენსა და თვითმფრინავზე დამონტაჟებული გასაშვები დანადგარით. აქვს დისტანციური მართვის პულტიც 100 *მ* სიგრძის კაბელით. ჭურვის გაშვების შემდეგ სახმელეთო მართვის აპარატურიდან საბორტო ხელსაწყოებზე კომანდები გადაიცემა მავთულით ან რადიოთი.


ტანჯერი (არაბ. .ტანჯა), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. მაროკოში, გიბრალტარის სრუტის სანაპიროზე. ტანჯერის პროვ. ადმ. ცენტრი. 186 ათ. მკხ. (1973). ჩრდ. მაროკოს სავაჭრო-სატრანსპ. და სატრანზიტო ცენტრი. გააქვთ უმთავრესად ციტრუსები, ბოსტნეული, თევზისა და ხილის კონსერვები. კეების, საფეიქრო, ცემენტის მრეწვ. საწარმოები. 1965 ტ-ის ნავსადგურში გამოიყო განსაკუთრებული ზონა, სადაც სავაჭრო ოპერაციები არ იბეგრება საბაჟო გადასახადებით. რკინიგზით უკავშირდება ქ. ფესს. ტ-ის მახლობლად არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი.

დააარსეს ფინიკიელმა კოლონისტებმა ძვ. წ. II ათასწლ. ბოლოს. ძვ. წ. I ს-იდან რომს დაემორჩილა. V ს-ში დაიპყრეს ვანდალებმა, VI ს-ში — ბიზანტიამ, VIII ს. დასაწყისში — არაბებმა. იყო ჩრდ. მაროკოს ერთ-ერთი მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. 1471 მიიტაცა პორტუგალიამ (1580—1643 ნომინალურად ემორჩილებოდა ესპანეთს). 1661 გადავიდა ინგლ. ხელში, 1684 კვლავ შეუერთდა მაროკოს და გახდა მაროკოს სახელმწიფოს ერთ-ერთი დედაქალაქი. 1912 მაროკოს იმპერიალ. დანაწილების შედეგად ტ. თავისი მოსაზღვრე ტერიტორიით (და-

ტანკი.



პირველი საცდელი ინგლისური ტანკი. 1916.



პირველი საბჭოთა ტანკი „თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხ. ლენინი". 1920.



თანამედროვე საბჭოთა ტანკი ტ—55.



თანამედროვე ამერიკული ტანკი M60A1.

ახლ. 380 *კმ*²) სპეციალური რეჟიმის ზონად გამოიყო. 1940—45 დაიკავა ესპანეთმა. მაროკოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1956) შემდეგ, 1957, კვლავ მაროკოს შეუერთდა.

ტანრეკისებრნი (Tenrecidae). ძუძუმწოვრების ოჯახი *მწერიჭამიების* რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 4—40 *სმ* აღწევს, დაფარულია რბილი ან ჯაგრისმაგვარი ბალნით, ზოგჯერ — ეკლებით. წყლის ტანრეკს უკანა თათებზე საცურავი აპკი აქვს. ოჯახი აერთიანებს 10 გვარის 20-მდე სახეობას. გავრცელებული არიან კ. მადაგასკარზე და კომორის კ-ებზე, ზოგიერთი სახეობა აკლიმატიზებულია ინდ. ოკეანის ცალკეულ კ-ებზე. ბინადრობენ ტენიან ტყეებში, ბუჩქნარებში, ველებზე. ხმელეთის ცხოველებია (გარდა წყლის ტანრეკისა). აქტ. არიან ღამით. იკვებებიან ცხოველებით, იშვიათად — მცენარეებით. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ, შობენ 1—4, ზოგჯერ 25-მდე ნაშიერს. ზოგი სახეობის ხორცს ადგილ. მოსახლეობა საკვებად იყენებს.

ტანსაცმელი, სხეულის ხელოვნური საფარველი, რ-ის ფორმებს განსაზღვრავს ეთნიკური ნორმები და ეკოლოგიური პირობები, სამეურნეო მდგომარეობა და ხალხთა შორის კულტურულ-ისტორიული კავშირი. ქვის ხანაში ადამიანმა ისწავლა ტყავის დამუშავება, ნაჭრების ერთმანეთზე გადაბმის ხერხი, უფრო გვიან აითვისა ქსოვის ტექნიკა.

ტ-ის პირველყოფილი სახეა შეუკერავი ტ. — მოსასხამები და სხეულის გარკვეული ნაწილების დასაფარავი ნაჭრები. პირველიდან განვითარდა სამხრე, მეორიდან — წელსქვედა სამოსელი. ფეხის უმარტივესი საფარავი საფუძვლად დაედო ფეხსაცმლის ფორმებს.

ტ-ის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა კლიმატურმა პირობებმა. ტროპ. ქვეყნებში დამკვიდრდა თეძოზე შემოსახვევი სამოსელი, ცივსა და არქტიკულ ქვეყნებში — ბეწვის ტ.

საზ-ბის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერთმანეთს გაემიჯნა ქალისა და მამაკაცის, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალის, ყოველდღიური და სადღესასწაულო, რიტუალური, საქორწილო, სამგლოვიარო და სხვ. ტ. გაჩნდა ტ-ის პროფ. და კლასობრივი სახეები. ძვ. ხალხებიდან სიშიშვლეს მხოლოდ ბერძნები არ ერიდებოდნენ, მაგრამ ბერძნ. გემოვნებას ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობამ, ბიზანტიაში დაიწყეს მძიმე ქსოვილისაგან შეკერილი სამოსლის ტარება, რ-შიც ადამიანის სხეული გაუჩინარდა. სხეულის წარმომჩენი სამოსელი უფრო მოგვიანებით გაჩნდა ევრ. ხალხებში, რასაც საფუძვლად დაედო ჩრდ-იდან და აღმ-იდან წამოსული ელემენტები — შარვალი და ხალათი.

დას. ევროპაში. XIV—XV სს-ში გაჩნდა თარგები. XVI ს-ში ტ-ის ფორმათა ნიმუშებს ესპანეთი იძლეოდა, ხოლო აბსოლუტიზმის აყვავების ხანაში (XVII ს.)— საფრანგეთი. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა კოსტიუმი — ერთიანი სტილით გადაწყვეტილი კომპონენტების მთლიანობა, რ-საც განსაზღვრავდა სამეფო კარის ეტიკეტი. ქალის ტ-ის მოდების ჰეგემონია ბოლომდე საფრანგეთს ეკუთვნოდა, მამაკაცისა — ინგლისს. ტ-ის ფორმებს განსაზღვრავდა ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილი (რომანული, გოტიკური, ბაროკოს, როკოკოს, კლასიცისტური და ა. შ.), რ-იც მოდის საშუალებით გადმოიცემოდა. ევროპაში XVIII ს-იდან გამოიკვეთა ტ-ის საერთოევრ. ფორმების შექმნის ტენდენცია, რაც XIX ს-ში დასრულდა. მას საფუძვლად დაედო ფრანგ. კოსტიუმი, რ-იც რევ. ხანაში განთავისუფლდა არაპრაქტ. ელემენტებისაგან. XIX ს. II ნახევარში დასრულდა მამაკაცის სამოსის დემოკრატიზაციის პროცესი და ჩამოყალიბდა სამეული — ზედატანი, *ელეგი* და შარვალი, რაც დღესაც იხმარება.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ორი სახის კოსტიუმი ელიტისათვის და მასობრივი. ამ უკანასკნელს, როგორც ყოფის სხვა სფეროებში, ისე ტ-შიც, განსაკუთრებით აქტიურად ჰქონდა შერჩენილი ეროვნ. ნიშნები, რ-ებმაც XX ს-მდე შემოინახეს თავი. დას. ევროპაში ხალხ. ტ-ს მიუხედავად მისი ნაირფეროვნებისა, საერთო ელემენტებიც აქვს: ვიწრო, მოკლე შარვალი, გრძელი და განიერსახელოიანი პერანგი, განსხვავებული თარგის ელეგი, მაუდის მოკლე ან გრძელი ზედა სამოსელი; ცილინდრული და მრგვალი, თავის ფორმის მიმყოლი თავსარქველები. სამხრეთში გავრცელებულია ფართოფარფლიანი ჩალის ქუდები. მთის მცხოვრებთა შორის დადასტურებულია განიერი და მოკლე ქვედატანი. ქალის ტ-ის ძირითადი ელემენტია სახელოიანი პერანგი, რ-ის ზემოთ ეცვათ მოკლე, ზონრებიანი გულდამჭერი და წელთან ნაოჭმიყრილი ქვედატანი, საგანგებოდ მორთული წინსაფარი, მხრის შალები და მრავალფეროვანი თავსაბურავი.

ორივე სქესის წარმომადგენლებს ფეხზე ეცვათ ტყავის მაღალ- ან დაბალყელიანი ფეხსაცმელები, შიგ — ნაქსოვი წინდები ან სახვევები. ზოგან გავრცელებული იყო ხისძირიანი ან მთლიანად ხის (მაგ., საფრანგეთში) ფეხსაცმელი. აზიაში მამაკაცებს ეცვათ კვართისებრი პერანგი და განიერი შარვალი, ზემოთ — ჩახსნილი ხალათი, ეხურათ ქსოვილის ან ბეწვის ოთხკუთხა ქუდი. ქალები იცვამდნენ გრძელ შარვალს, მუხლს ჩაცილებულ პერანგს და ხალათს. ტ-ის თავისებურებები ძირითადად თარგით, ფერებითა და ორნამენტით განისაზღვრება.

მრავალი საერთო ელემენტი აქვს კავკ. ხალხთა სამოსელსაც, განსაკუთრებით მამაკაცის ტ-ს, რ-იც ჩოხა-ახალუხით, შარვლით, ტყავის ფეხსაცმლითა და ქუდით არის დაკომპლექტებული და ვერცხლის იარაღით გაწყობილი. ქალის ტ. უფრო რეგიონალური იყო, მაგრამ ყაბარდოელების, ჩერქეზების, ოსებისა და ქართველების კოსტუმთა შორის სიახლოვე აქაც შეიმჩნევა.

კავკასიას, კერძოდ საქართველოს, თავისი მდებარეობისა და მდგომარეობის გამო ურთიერთობა ჰქონდა ძვ. და ახ. სამყაროს ქვეყნებთან (საბერძნეთი, რომი ბიზანტია, ირანი, ოსმალეთი, დას. ევრ. ქვეყნები, რუსეთი). ამ კონტაქტების შედეგად ქართვ. ხალხმა აითვისა და შემოქმედებითად გაითავისა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ცივილიზაციათა მიღწევები. ქართ. ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფი კულტურა, კერძოდ ტ., საერთო კავკ. ტრადიციებთან ერთად ამ ფართო კავშირების კვალსაც ატარებს.

საქართვ. ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლ. მასალა ადასტურებს, რომ სამოსლის დასამზადებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ სელის, კანაფისა და მატყლის ქსოვილებს; დასამაგრებლად და მოსართავად ხმარობდნენ ღილებს, ხრიკებს, ქინძისთავებს, ბალთა-აბზინდებს და ა. შ. არქეოლ. მონაცემებს ავსებენ უცხოელ მწერალთა ცნობები, სადაც ქართველთა წინაპარი ტომების სამოსელზეა საუბარი. ფეოდ. საქართველოში გავრცელებული სამოსლის აღდგენა ხდება ძირითადად სტელებისა და ტაძრების ფასადების რელიეფების მიხედვით. ამ მასალას ემატება ფრესკების, ჭედური ხელოვნ. ნიმუშების, საფლავის ქვების, ნუმიზმატიკის, მინიატიურების, ისტ. წყაროების, ლიტ. ძეგლების მოხაცემები და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები. გამოვლენილია ფეოდ. საქართველოში გავრცელებული სამოსლის სხვადასხვა სახეობა: სამეფო-სადედოფლო, საერისკაცო, სამოხელეო, სამღვდელთმოძღვრო, ბერული, ვაჭრული, სამხედრო, სამგზავრო ანუ საღარიბო, სადიაცო და სამამაცო; ასევე დანიშნულებით განსხვავებული ფორმები: საშინაო და საგარეო, საქორწინო, სამგლოვიარო. შესწავლილია ე. წ. სამოსელი ქუშეთი და სამოსელი ზეითი, ხერხლება ტ-ის ფორმათა მონაცვლეობის დადგენა სხვადასხვა ისტ. ეპოქისათვის.


XIX ს. II ნახევარში დამოწმებულია საქართვ. სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული ტ-ის სხვადასხვა კომპლექსი, რ-ებიც ხანგრძლივი გამოყენების გამო საგრძნობლად დაშორდნენ თავდაპირველ სახეს. უძველესი ფორმები შემოინახა მთამ, სადაც განსაკუთრებით საინტერესოა ქალის ტ. აქ გამოყენებული ორიგინ. ელემენტებისა და გაწყობის ხერხების მრავალფეროვნება ქართ. ხალხ. ჩაცმულობის განუმეორებელ კოლორიტს ქმნის, ასეთია ხევსურული, რაჭული, თუშური, მოხევური, აჭარული, ინგილოური და სხვ. კომპლექსები. ქალის ხევსურული „ტალავარი" შედგება კვართისებრი თარგის კაბისაგან — „სადიაცოსაგან", რ-საც ახლავს ზემოდან შემოსაცმელი ქართ. გახსნილსახელოებიანი „ფაფანაგი" ან მოკლესახელოებიანი „ქოქლო", ჩიხტისმაგვარი თავსაბურავი „სათაურა" და თავზე შემოსახვევი „მანდილი". ფეხზე იცვამენ ყელიანი წინდის მსგავს „თათებს" ან „წინდა-პაჭიჭს". ამ კომპლექსის ძირითადი ნიშანია ყველა ელემენტის ფერადი ნაქარგითა და ვერცხლის სამკაულით შემკობა. თუში ქალის სამოსელი სისადავით გამოირჩევა — ერთმანეთს ენაცვლება შავი, ლურჯი და თეთრი ფერები. ძირითადი ელემენტია შალის ერთიანი კაბა — „ჯუბა" პერანგისებური თარგით, დეკორ. სახელოებით შედგენილი ტყავის ზედა სამოსელი „სახელჩაქნეულა", თავზე დასადგომი „კუჭურა" და მოსახური დიდი მანდილი; ფეხზე — ნაქსოვი „ჩითები". მოხევე ქალის ჩასაცმელი შეიცავს ისეთ ელემენტებს (კაბა, საგულე), რ-ებიც წერილობით წყაროებში მოწმდება და წინ უსწრებს სარტყელ-გულისპირიან ქართ. კაბას.

მამაკაცის ჩაცმულობაში, მიუხედავად საგრძნობი ერთგვაროვნებისა, მაინც ხერხდება ზოგიერთი თავისებური კომპლექსის გამოყოფა. ასეთია ხევსურული „ტალავარი", რ-შიც შედის ზედატანი — „პერანგი" და შარვალი—„ნიფხავი", ჩოხა, მრგვალად შეკერილი ნაბდის ქუდი, შიბით ნაქსოვი ფეხსამოსი, „თათები" ან ქალამანი — „ჯღანი" და სხვ.; „ჩაქურა" გავრცელებული იყო აჭარაში, გურიაში და ნაწილობრივ სამეგრელოში. აჭარული კომპლექსის ელემენტებია შალის მოკლე ზედატანი, „კვატუა ჩოხა" || „ჭონია", შალისავე ფართოუბიანი და ხვანჭრით შეკრული შარვალი — „ჩაქურა", ორჯიბიანი და საყელოიანი ახალუხი — „ზუბუნი", განიერი და გრძელი, კუბოკრული აბრეშუმის სარტყელი — „თოლა ბულუსი", ყაბალახი, ფეხსაცმელი „ლაფჩინი" და წინდა — პაჭიჭები.


თარგის ორიგინალობითა და შესრულების ხელოვნებით კავკასიაში ბადალი არ მოეპოვება ხევსურულ „ტალავარს", რომლის შემქმნელთაც იშვიათი ოსტატობით მოუნახავთ ორნამენტის შერჩევის, ფერთა შეხამებისა და სამკაულის მორთვის ხერხები.


ქართლისა და კახეთის ტ-ის ტიპების მსგავსებას აღნიშნავენ ისტ. წყაროები. ეს ტრადიცია XX ს. I ნახევარშიც გრძელდება. აქ დამოწმებულია ტ-ის კომპლექსი, რ-იც კაბა-ახალუხის ერთიანობას ეფუძნება. ჩაცმულობის ამ ტიპმა XIX ს-თვის უნიფიცირებული ფორმა მიიღო და ფართოდ გავრცელდა სამხრ. და დას. საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, შედარებით ნაკლებად — გურია-

















სტ. სტაროვი. ი. **1.** საკარმიდამო სახლი. ნიკოლსკი-გაგარინი. მოსკოვის ოლქი. 1773 — 76 და 1777. **2.** სასახლე ბოგოროდიცკში. 1773—'76; ინტერიერები დამთავრდა დაახლ. 1783. **3.** ალექსანდრე ნეველის ლავრის სამების ტაძარი. 1778—90. **4.** საკარმიდამო სახლი. ტაიცი. 1774—80-ანი წლები. **5.** ტავრიდის სასახლის გალერეა. ლენინგრადი. 1783—89. **6.** კარის ეკლესია. ბოგოროდიცკი. საფუძველი ჩაეყარა 1774.

















სტ. სტასოვი ვ. **1.** სამრეკლო. გრუზინოს კარმიდამო. ეოლტოვზე. 1815—20-იანი წლები. არ შემოინახა. **2.** სამების ტაძარი. 1828 — 35. **3.** მოსკოვის კარი. თუჯი. 1834—38. **4.** საჯინიბოთა უწყება. 1817—23. **5.** პავლეს ყაზარმები. 1817—20. **6.** ლიდი ორანჟერეის მეორე პავილიონი. პუშკინი. 1820 — 23. 1910-იანი წლების ფოტო. **7.** ზამთრის სასახლის დიდი ავანზალი. 1836—39. ვ. სადოვნიკოვის ნახატი. (1857. ერმიტაჟი. ლენინგრადი). **8.** ლიცეუმის სააქტო დარბაზი. 1811. ქ. პუშკინი. (2—5,7 ლენინგრადშია).






















სტ. სუდანი. **1.** ნუბიის უდაბნო. **2.** ლანდშაფტი დარფურის პროვინციაში. **3.** ჯებირი მდ. ნიგერზე. **4.** ჰომბორის შთენილი მთები. **5.** დაბა დოგონი. **6.** პირამიდები. ჩრდ. სასაფლაო. მეროე. II ს. **7.** ღმერთ აპადემაკის გამოსახულება. ლომის ტიძრის პილონი. ნაგა. ძვ. წ. I ს. დასასრული—ახ. წ. I ს. **8.** „აფთარი". შილუხის ხალხი. თიხა. ბრიტანეთის მუზეუმი. ლონდონი. XIX—XX სს. **9.** თიხის ქოთანი რელიეფური ნაძერწი მორთულობით. მეროე ძვ. წ. I ს. სუდანის ეროვნული მუზეუმი. ხარტუმი. **10.** ტაძრის ნანგრევები. სულბა. ძვ. წ. XV ს. **11.** „სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილში". ტაძრის ფრესკა. ფაროსი. VIII—XI სს. **12.** წინაპართაფიგურებიანი თავჩამოსადები ჩრდ. სუდანიდან. ხე. ეთნოგრაფიული მუზეუმი. ვენა. XIX—XX სს. **13.** მოპო ქუა. „წყლის მზიდავი ქალი". ტონირებული თაბაშირი. 1958.








































სტ. ტაილანდი. **1.** ბანგკოკი. ქალაქის საერთო ხედი. **2.** ხიდი მდ. მენამზე. **3.** დატერასებული ბრინჯის ნათესი. **4.** მდ. მენამი ქ. აიუთაიაში. **5.** პატომჩედი ნაქონპათომში. დაარსებულია ახ. წ. პირველ საუკუნეებში. **6.** მეფის სასახლის სატახტო დარბაზი დუსიტ მაჰაპრასატი. ბანგკოკი 1780-იანი წლები. **7.** რავანა (დემონების მეფე). ქანდაკება არუნის ვატში. ბანგკოკი. XIX ს. **8.** „ცეცხლთაყვანისმცემლები ნაცით და ბუდა აუტამა". „სუან პაკადის" სასახლის (ახლა მუზეუმი) ლაქის პავილიონის (ბიბლიოთეკა) კედლის მხატვრობა. ფრაგმენტი. ბანგკოკი. შავი ლაქი. ოქრო. XVIII ს. დასასრული. **9.** ბუდა შვიდთავიანი დრაკონით ზურგსუკან ჩე ტაოს ვატი. სავანქალოკი. აგური, ბათქაში. XIII — XV სს. **10.** ბუდა ბან-უმ-ვატბაკიდან. ბრინჯაო. (სიმაღლე 1 მ 21 სმ). დაახლ. XVIII ს. ეროვნული მუზეუმი. ბანგკოკი. **11.** ბუდას თავი. დვარავატის ხანა. ქვა. VII—XI სს. სიმაღლე 39 სმ. ეროვნული მუზეუმი. ბანგკოკი. **12.** დემონის თავი. მოჭიქული ტერაკოტა. XIV ს. რამქამჰენგის ეროვნული მუზეუმი. სუკოტაი. **13.** ტ ა ვ ი ნ ა ნ დ ა კ ვ ა ნ ი. პორტრეტი. 1955. **14.** ჰიენ იიმსარი. „ჰარმონია". თაბაშირი. 1959.





















ტაჭიკეთის სსრ (I). **1.** მდინარე მურღაბი. **2.** ალიჩურის ხეობის ზემოთი. **3.** ტბა დასავლეთ პამირში. ფერღანის ველი. **5.** ტბა ისქანდერქოლი. **6.** დუშანბე. ქალაქის ნაწილის ხედი. **7.** ვახშის აზოტ-ტუკის რხანა. **8.** ბაიფაზის ჰიდროკვანძი მდინარე ვახშზე. **9.** ქ. ნურაქი. **10.** ბამბის დასამზადებელი პუნქტი ხთენდის რაიონში.































სტ. ტაჯიკეთი *(II)*. **1.** მოქანდაკე ი. მილაშევიჩი. არქიტექტორი ი. მასლოვი, (ვ. ვესელოვსკის მონაწილეობით). სამამულო ომში (1941 – 45) დაღუპულ ლენინაბადელ მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მონუმენტი. 1970. რკინაბეტონი. ლენინაბადი. **2.** ბოდჰისატვის ტორსი. თიხა. აჯინათეფე. VII ს.—VIII ს. დასაწყისი. **3.** წყლის სურა (ქუმგანი). ჭედური და გრავირებული სპილენძი. 1880. ოსტატი უსთო მირ შაფე. ურათეფა. **4.** ე. ტატარინოვა, „ბამბის მომყვანი ქალი". ტონირებული თაბაშირი. 1945. **5.** გ. სოლომინოვი, ვ. აფანასიევი, ა. იარუშინი. აეროვაგზალი. ლენინაბადი. 1964—65. **6.** ს. ვოლკოვი. ა. პუშკინის სახ. დრამატული თეატრი. ლენინაბადი. 1961—64. **7.** „ჯოანაშაზი". აბრეშუმით ნაქარგი სალოცავი ხალიჩა. ყარათაღი. XIX ს. დასასრული — XX ს. დასაწყისი. (3,7—ტაჯიკეთის სსრ მეცნ. აკადემიის ა. დანეშის სახ. ისტორიის ინ-ტის ეთნოგრაფიული მუზეუმი. დუშანბე). **8.** „მხედარი ქალ-ვაჟი". III/17 სათავსის მოხატულობის ფრაგმენტი. ფენჯიქენთი. VII—VIII სს. **9.** გ. ჩერედნიჩენკო. „გამოღვიძება". სპილენძი. ჭედურობა. 1969. ტაჯიკეთის სსრ მხატვართა კავშირის საგამოფენო ფონდი. დუშანბე. **10.** კადრი ფილმიდან „რუსთამი და სოჰრაბი". რეჟ. ბ. ქიმიაგაროვი. 1971. **11.** ე. ბურცევი. „იბრაჰიმბეკის შეპყრობა". 1937. (2,8, ერმიტაჟი. ლენინგრადი; 4,11—ბეპზადის სახ. რესპუბლიკური გაერთიანებული საისტორიო—სამხარეთმცოდნეო და სახვითი ხელოვნების მუზეუმი. დუშანბე).



















სტ. ტოგო. **1.** ლომეს საზღვაო ნავსადგური. **2.** მაღალბალახოვანი სავანა კორბონგლუს ველზე. **3.** სოფელი ჩრდილოეთ ტოგოში. **4.** ფოსფორიტების მოპოვება. **5.** ლომეს ერთ-ერთი ქუჩა. **6.** ლომე. ქალაქის ნაწილის ხედი. **7.** ტოგოს ტბა. **8.** ზეთის პალმის ნაყოფის შეგროვება.






























13





სტ. ტუნისი. **1.** პალმებიანი ოაზისი სამხრეთ ტუნისში. **2.** ჰამამათის ყურე. **3.** ქ. ტუნისის საერთო ხედი. **4.** სუსი. ქალაქის ნაწილის ხედი. **5.** ტუნისის ნავსადგური. **6.** ზეთისხილის პლანტაცია სფაქსის მიდამოებში. **7.** რომაული კაპიტოლიუმი. დუგა. 168. **8.** რომაული თეატრი. დუგა. 168—169. **9.** ქუბის პავილიონი. ბელვედერის პარკი. ქ. ტუნისი. 1750-იანი წლები. ინტერიერის ფრაგმენტი. **10.** საკულტო კომპლექსი („ზავია“) სიდი საჰიბი. კაირუანი. კვეთილობა სტუკოზე. XVII ს. **11.** მიჰრაბი. სიდი უკბას მეჩეთი. კაირუანი. 670 (ხელმეორედ აშენდა 836, გადააკეთეს 863 და მოგვიანებით). **12.** ო. კ. კაკუბი. საკონცერტო დარბაზი. ქ. მონასტირი. 1965. **13.** საქმიანი შენობა. კაირუანი. 1960-იანი წლების დასაწყისი.

სამეგრელოში. ასევე გამონაკლისს შეადგენს მთის ზოგიერთი რეგიონი. „ქართული ჩაცმულობა“ XIX ს-ში საქორწინო სამოსლის ერთადერთ სასურველ ფორმად იყო მიჩნეული და მას, როგორც საზეიმო სამოსელს, კავკასიაში მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ჰყავდა.

XIX ს. I ნახევარში გაძლიერდა ევრ. გავლენა. ეს პროცესი პირველად ქალის სამოსელს დაეტყო (გაქრა, შეიდიში, ახალუხი, ქოშები), 60-იან წლებში ქალის კაბა „ხაბარდიანი“ გახდა, 80-იან წლებში კი გაჩნდა კაბის ახ. ტიპი — „პრინცესა“ ანუ კუდიანი კაბა გარკვეული სახეცვლილებითურთ. მამაკაცის ჩასაცმელიდან მოკლე სამოსელი, ყურთმაჯიანი კაბა და ნაოჭიანი ახალუხი შეცვალა გრძელმა ჩოხა-ახალუხმა, ე. წ. „ჩერქეზკამ“.

XIX ს. ბოლოს გლეხობაში დაცული „ქართული ჩაცმულობა“ აერთიანებდა „საქალო“ ტ-ში (საცვლების გარდა) კაბას, ქათიბს, თავსაბურავს — ჩიხტას თავსაკრავებითა და კოპით, ლეჩაქ-ბაღდადს, წინდებსა და ფეხსაცმელს. ქართ. „სართყლიან-გულისპირიან“ კაბას ჰქონდა განსხკავებული ქსოვილის მოქარგული და მძივებით შემკული გულისპირი და სართყელი, რ-ის დეკორი მცენარეული მოტივისაგან შედგებოდა. „საკაცო“ ტანსაცმელში შედიოდა საცვლები, შარვალ-ახალუხი, ჩოხა, ქამარი, ნაბდის პატარა ქუდი ან ცხერის ტყავის მრგვალი ქუდი, ტყავისავე ქალამანი და წუდა-მესტი, შალის წინდები და პაჭიჭები. ამ კომპლექსის ძირითადი ელემენტი იყო ჩოხა-ახალუხი. ქამარი ვერცხლის ნაწილებით იყო შემკული და ზედ ხანჯალი ეკიდა.

გარდა ამ კომპლექსებისა, არსებობდა ტ-ის პროფ. და სოც. ნიშნით განსხვავებული სახეობანი, ასევე საგარეო, სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო სამოსელი. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მკელის სპეც. ტ. — „სამკდილი“, სახელოსნო ცენტრებში გავრცელებული მოქალაქის ტ., თბილისელი ყარაჩოხელების ტ., დას. საქართველოში დადასტურებული სამგლოვიარო სამოსელი — „გაქა“ და სხვ. ხშირად დამოუკიდებელი მნიშვნელობით გამოიყოფა არა მხოლოდ კომპლექსები, არამედ ცალკეული ელემენტებიც, როგორიცაა, მაგ., სვანური ქუდი (ნაბდისა, მრგვალი), იმერული ფაფანაკი (მრგვალი ან ოვალური, კუთხეებამაღლებული და ოქრომკედით ნაქარგი, რ-იც თმაზე აფენია კაცებს), ხელოსნის ვერცხლის მთლიანი ქამარი (მსხვილგობაკებიანი), მონადირის „ბანდულები“ (თასმებდახიდულძირიანი ქალამანი), მწყემსის „გვაბანაკი“ (ნაბდის წამოსაცმელი, მოკლესახელოებიანი და თავზე წამოსადები), ზამთარში ჩასაცმელი გლეხური ქურქები ან საბეჭურები („ტყავი“ — გრძელი ქურქი, „ტყაპუჭი“ — მოკლე ქურქი, „ტყავკაბა“ — ტყავზე ქსოვილგადაკრული ქურქი და ა. შ.), ნაბადი და მრავალი სხვა.

ქართ. ჩაცმულობის ელემენტთა სიმრავლე მოწმობს დასამზადებელი მასალის ნაირფეროვნებას, გამოჭრის, კერვის, ქარგვისა და ა. შ. ოსტატობის მაღალ დონეს.

ევრ. ტ-მა, რ-მაც საქართველოში XIX ს. II ნახევარში მოიკიდა ფეხი, XX ს. 30-იან წლებში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია. ამჟამად საქართველოში ქალაქური ტიპის სამოსელია გავრცელებული.

ლიტ.: ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ც., ქალის სამოსელი აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974; გ ვ ა თ უ ა ნ., ჩაცმულობის ისტორიიდან (ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს. და XX ს. დასაწყისი), თბ., 1967; მ ა რ გ ო შ ვ ი ლ ი ლ., ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი (ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის), თბ., 1960; მ ო ლ ო დ ი ნ ი ლ., ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული კოსტიუმის კატალოგი, I—ხევსურული, თბ., 1964; ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი ნ., ქართული კოსტიუმი (VI—XIV სს.), თბ., 1964; ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3—4, თბ., 1962.

ც. ბეზარაშვილი.

ჰიგიენური მოთხოვნები ტანსაცმლისადმი. ტ-ის მეშვეობით სხეულის ირგვლივ იქმნება ხელოვნური მიკროკლიმატი, ტ-ის შიგნით დაცულია თანაბარი ტემპ-რა (28—32°), შედარებით დაბალი შეფარდებითი სინოტივე (20—40°) და ჰაერის სუსტი მოძრაობა. ტ. ამცირებს ორგანიზმის მიერ სითბოს დაკარგვას და ხელს უწყობს მისი ენერგეტ. რესურსების შენარჩუნებას, კანის საფარველს ეცავს მექან. და ქიმ. დაზიანებისაგან, მტვრისაგან, მწერების კბენისაგან და სხვ. ტ-ის ძირითადი ჰიგიენური მოთხოვნებია მისი სითბოს დამცველი უნარისა და ჰაერშეღწევადობის შესაბამისობა კლიმ. პირობებთან, კუნთოვანი მუშაობის ინტენსივობასთან, სქესის თავისებურებებთან, ასაკთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და სხვ. ტ-მა უნდა უზრუნველყოს მაქსიმალურად თავისუფალი მოძრაობა, შეუფერხებელი სუნთქვა და სისხლის მიმოქცევა. ტ-ის გარეთა მხრისათვის მიზანშეწონილია სინთეზური ქსოვილების ხმარება, რ-ებიც კარგად იცავენ სხეულს ატმ. სინესტისა და ქარისაგან. გაციებით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისათვის უმჯობესია ზედმეტად თბილი ტ-ის ტარებისათვის თავის არიდება (განსაკუთრებით ეხება ეს ბავშვებს), რადგან ჭარბი სითბო ხელს უწყობს ოფლიანობას, ტ-ის დანამვას და მისი სითბოდამცავი თვისებების დაქვეითებას. თბილ დროში ტ-თვის უნდა შეირჩეს ისეთი ქსოვილი, რ-იც ნაკლებად სითბოგამტარია და აქვს ოფლის შთანთქმის უნარი. სასურველია, რომ ზომიერი პავის პირობებში მცხოვრებთა ტ-მა ხელი შეუწყოს ულტრაიისფერი სხივების მაქსიმალურად შეღწევას (ვისკოზისა და პოლიამიდური ბოჭკოსაგან დამზადებული ტ.). ცხელ ქვეყნებში მცხოვრებთა ტ-მა უნდა უზრუნველყოს სხივური სითბოს დაეკრანება. მზის რადიაციისაგან დასაცავად იხმარება სადა და ბაცი ქსოვილისაგან დამზადებული ტ. სინთეზური ქსოვილი მალე ჭუჭყიანდება, ნაკლებად ჰიგროსკოპულია და ტენტევადი, აქვს სტატ. ელექტრობის დაგროვების უნარი, იწვევს კანის სუნთქვითი ფუნქციის მოშლას, ზოგჯერ კი ხელს უწყობს ალერგიული დარღვევების განვითარებას.

ტან სიტუნი (10. III. 1865, პეკინი,— 27. IX. 1898, იქვე), ჩინელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე, რეფორმისტთა მემარცხენე ფრთის ბელადი, პოეტი. გამარჯვებულმა რეაქციამ გაუსამართლებლად დასაჯა სიკვდილით. წერდა ლექსებს სამხ. ლაშქრობებსა და სოც. საკითხებზე, ზღაპრულ ბალადებს, ასახავდა მშობლიური ბუნების პეიზაჟებს; შინაარსობრივად და ახ. ფორმებით გაამდიდრა ეროვნ. პოეზია. ცდილობდა ძვ. ჩინ. ფილოსოფიისა და კულტურის ევროპულთან შეერთებით შეექმნა ისეთი ფილოსოფია, რ-იც დაეფუძნებდა ჰუმანიზმს. ნაშრომში „მოძღვრება ჰუმანიზმის შესახებ“ (1896—98) სამყაროს საფუძვლად თვლის სიცარიელეში ეთერის, ელექტრობისა და ქიმ. ელემენტების ურთიერთქმედებას.

ლიტ.: С е н и н Н. Г., Китайский просветитель и материалист конца XIX в. Тань Сы-тун, «Вопросы философии», 1958, № 9.

გ. თევზაძე.

ტანტა, ქალაქი ეგვიპტეში, ნილოსის დელტაში, ღარბიის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი. 285 ათ. მცხ. (1976). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. საფეიქრო მრეწვ. საწარმოები. ბამბის ზეთის წარმოება, რძის ქ-ნა, წისქვილი. შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოება.

ტანტალი (Tantalum), Ta, ელემენტთა პერიოდული სისტემის V ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 73, ატ. მასა 180, 948, $t_{დნ}$ 2996°C, $t_{დუღ}$ 5300°C, სიმკვრივე 16600 *კგ/მ*³. რუხი ფერის ლითონი. გვხვდება მდგრადი ^{181}Ta (99,99%) და რადიოაქტიური ^{180}Ta (0,01 %; $T_1/_2=10^{12}$ წ) იზოტოპების სახით. ხელოვნურად მიღებულია ტ-ის რადიოაქტიური იზოტოპი $^{182}Ta(T_1/_2=115,1$ დღ-ღ).

ტ. აღმოაჩინა 1802 შვედმა ქიმიკოსმა ა. ეკებერგმა (სახელწ. შეარქვეს ძვ. ბერძენი მითოლ. გმირის *ტანტალოსის* მიხედვით). დედამიწის ქერქში ტ-ის საშ. შემცველობა მასის მიხედვით 2,5 • 10^{-4}%-ია. ტ. გაბნეულია ბიოსფეროსა და მაგმატურ ქანებში. ცნობილია ტ-ის 17 ძირითადი მინერალი და 60-ზე მეტი ტანტალშემცველი მინერალი. ტ-ის ჟანგვის ხარისხია +5. ცნობილია აგრეთვე ტ-ის ისეთი ნაერთები, რ-თა ჟანგვის ხარისხი უფრო დაბალია (მაგ., $TaCl_4$, $TaCl_3$, $TaCl_2$). სუფთა კომპაქტური ტ. მდგრადია ჰაერზე; ჟანგავს იწყებს 280°C-ზე. ცნობილია ტ-ის მდგრადი ოქსიდი — ხუთჟანგი Ta_2O_5, რ-საც ახასიათებს მჟავეური ბუნება. წყალბადთან დაახლ. 250°C-ზე, ხოლო აზოტთან დაახლ. 300°C-ზე ტ. წარმოქმნის მყარ ხსნარებს. ცნობილია აგრეთვე ტ-ის კარბიდები, ჰალოგენიდები. გახურებისას ტ. ურთიერთქმედებს C, B, Si, P, Se, Te, H_2O, CO, CO_2, NO, HCl, H_2S. სუფთა ტ. განსაკუთრებით მდგრადია მრავალი თხევადი ლითონისა და მათი ნალღობების მიმართ და სხვ. ტ. ხასიათდება მაღალი კოროზიამედეგობით ორგ. და არაორგ. მჟავების მიმართ. ცნობილია ტანტალმჟავას მარილები, რ-თაგან მნიშვნელოვანია ტუტე ლითონთა ტანტალატები; ეს მარილები სეგნეტოელექტრიკებია.

ტ-ს ლებულობენ ვაკუუმში ნახშირბადით 2000°C-ზე Ta_2O_5-ის აღდგენისას და სხვ.

ტ-ს იყენებენ ელექტრონიკაში, ბირთვულ ენერგეტიკაში, ქიმ. მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიაში, მედიცინაში.

ლიტ.: З е л и к м а н А. Н., М е е р с о н Г. А., Металлургия редких металлов, М., 1973.

ტანტალის შენადნობები, ტანტალის ფუძეზე დამზადებული შენადნობები. ტანტალის კრისტ. სტრუქტურა, ატომის ზომები და მდგომარეობა ელექტროუარყოფითობის რიგში განსაზღვრავს მის მიდრეკილებას მრავალ ლითონთან წარმოქმნას *მყარი ხსნარები* და *ლითონთაშორისი ნაერთები*. ტანტალი უწყვეტი მყარი ხსნარების რიგს ქმნის იმ ლითონებთან, რ-თაც აქვთ იზომორფული კრისტალური სტრუქტურა და ტანტალთან დაახლოებული ატომების ზომები. ამასთან, ელექტროუარყოფითობის რიგში მასთან ახლოს არიან (მაგ., Nb, W, Mo, V, β-Ti და სხვ.). ატომთა ზომებსა და ელექტროუარყოფითობებს შორის დიდი განსხვავებისას წარმოიქმნება მყარი ხსნარებისა და მეტალიდების შეზღუდული რიგი (მაგ., Al, Au, Be, Si, Ni). Li, K, Na, Mg-სა და სხვა მსგავს ელემენტებთან ტანტალი არ წარმოქმნის მყარ ხსნარსა და ნაერთს. ჩვეულებრივ ტემპ-რაზე ტ. შ-ს ახასიათებს მაღალი მექან. თვისებები, კოროზიამედეგობა, მხურვალმტკიცობა და სხვ. ტ. შ. ნიობიუმთან ცვლიან დეფიციტურ ტანტალს მისი გამოყენების მრავალ სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტანტალის მხურვალმტკიცე შენადნობები, რ-თა ფუძეზე ამზადებენ ყველაზე პერსპექტიულ მაღალტემპ-რულ საკონსტრუქციო მასალებს თვითმფრინავების, რაკეტებისა და კოსმ. ხომალდებისათვის. ჩვეულებრივ, ტანტალის ლეგირება W, Mo, V, Nb, Ti, Zr, Hf, Re, Cr, C-ითა და სხვა ელემენტებით ხდება.



ტანძა. ეკლესია. 1670.



ტაპირისებრნი: 1 — ამერიკული ტაპირი; 2 — ორთუკიანი ტაპირი.

მრავალი მხურვალმტკიცე ტ. შ-იდან ყველაზე მნიშვნელოვანია ვოლფრამთან შენადნობი (10%W). ამ შენადნობის სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვისას გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ტანტალისა. იგი ვოლფრამზე პლასტიკურია, არ ჩამორჩება მას სიმტკიცეში და მასზე მხურვალმედეგია. ამ შენადნობისაგან ამზადებენ წვის კამერის დეტალებსა და რეაქტიული ძრავების საქშენებს. ელექტრონულ ტექნიკაში იყენებენ მაღალი ელექტროწინაღობისა და თერმოემისიური თვისებების მქონე ტ. შ-ს, რ-იც 7,5%W -ს შეიცავს. სუფთა ტანტალთან შედარებით ამ შენადნობს დაბალი კოროზიამედეგობა ახასიათებს. ტ. შ-ის კოროზიამედეგობას ზოგჯერ ლეგირებით ზრდიან. მაღალტემპერატული და სხვა მასალების წარმოებაში ტანტალის ბორიდები, სილიციდები, კარბიდები და ნიტრიდები პერსპექტიული მასალებია.

ტანტალოსი (ბერძნ. Tantalos), 1. ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ფრიგიის (ცნობილია აგრეთვე როგორც ლიდიის, პაფლაგონიის, კორინთის, არგოსის) მდიდარი და ზვიადი მეფე, ზევსის ძე, პელოპისა და ნიობეს მამა. ღმერთებისაგან გამორჩეული ყოფილა და თავიანთ ნადიმებზე იწვევდნენ ხოლმე, მაგრამ პატივი ვერ შეუფერებია, რისთვისაც ღმერთებს მკაცრად დაუსჯიათ. მითების სხვადასხვა ვერსიით, ადამიანებისათვის ნექტარი და ამბროსია მოუტანია, ოლიმპიელთა საიდუმლო გაუმხელია, ღმერთების საკუთარი შვილის (პელოპის) ხორცით გამასპინძლებია და სხვ. ჰომეროსთან ტ. ჰადესშია, ბორბალზე გაკრული, წყალში დგას მშიერ-მწყურვალი. დაიხრება — წყალი ქრება, ზემოთ ხილით დახუნძლული ტოტია, ხელს ასწევს — ტოტი აიწევა. მითის სხვა ვერსიით, ტ. ფუფუნებასა და განცხრომაშია და მაინც მუდმივ შიშს განიცდის: თავს ზევით კლდე მუდმივ გასრესით ემუქრება, თვითონ კი ჰაერშია გამოკიდებული. აქედან გამოთქმა — „ტანტალოსის ტანჯვა". ტ-ის მითი აისახა ლარნაკწერაში, ლიტ-რაში (გოეთე, „იფიგენია ტავრიდაში"); 2. თიესტეს ძე, დაკლა ატრევსმა და მამამისს (თავის ძმას) აჭამა; 3. ნიობიდი, მოკლა აპოლონმა.

ა. გელოვანი.

ტანტიემი (ფრანგ. tantième — წილი, ნაწილი), დაჯილდოების ერთ-ერთი ფორმა; ჯილდო მოგებიდან ეძლევა *საქცო საზოგადოების*, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების და სხვა კაპიტალისტური საწარმოების გამგეობის წევრებსა და დირექტორებს. რაოდენობას განსაზღვრავენ წმინდა მოგების რაოდენობის მიხედვით (პროცენტობით). ტ. განსაკუთრებით გავრცელდა *იმპერიალიზმის* ეპოქაში.

ტანჟერი (სომხ. ტ ა ნ უ ტ ე რ— მამასახლისი), ფეოდალური სომხეთის *ნახარარების* წრეში ერთდროულად მეფის მოხელეც და გვარის ან დიდი ოჯახის მეთაურიც. XII ს-ში ქართულიდან სომხურად თარგმნილ „ქართლის ცხოვრებაში" ქართ. მამასახლისს სომხ. ტ. შეესატყვისება. ბაგრატ IV-ის სიგელში (დაახლ. 1072) მოხსენიებულია ტაოსა და კლარჯეთის ტ-ები, რ-ებიც აქ *ერისთავებზე* უფრო მცირე მოხელეებად მოჩანან. ტ-ები იშვიათად გვიანდ. ფეოდ. ხანის ქართ. საისტ. წყაროებშიც იხსენიებიან; მათ *ნაცვლისა* და მამასახლისის მსგავსი ფუნქციები უნდა ჰქონოდათ.

ლიტ.: Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, 2 изд., Ер., 1971.

გ. ნადარეიშვილი.

ტანშანი, ქალაქი ჩრდ. ჩინეთში, ხებეის პროვინციაში. 1,3 მლნ. მცხ. (1982). რკინიგზის სადგური თიანძინ—შენიანის ხაზზე. დიდი სამრეწვ. ცენტრი. შავი მეტალურგია, მანქანათაშ. მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება, ქიმ. და ელექტრონული მრეწვ. საწარმოები. რკინიგზის ტრანსპ. ინ-ტი. ტ-ის რ-ნში იღებენ ქვანახშირს.

ტანჩიჩი (Táncsics) Mიხაი (21. IV. 1799, აჩტესერი, — 28. VI. 1884, ბუდაპეშტი), უნგრეთის რევოლუციონერ-დემოკრატი. *უტოპიური სოციალიზმის, საფრანგეთის დიდი რევოლუციისა* და *იაკობინელთა* მომხრე. შრომებში „სახალხო წიგნი" (1842), „შეხედულებანი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე" (1844), „ხმა ერისა — ხმა ღვთისა" (1848) ჩამოაყალიბა თავისი დროისათვის ყველაზე რადიკალური რევ. გარდაქმნების პროგრამა. შ. *პეტეფის* და პ. ვაშვარისთან ერთად უნგრ. 1848—49 რევ. რადიკალური ფრთის მეთაური იყო. 1848 უნგრ. სახელმწ. კრების დეპუტატი. რევ. დამარცხების შემდეგ დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი. ამნისტიის (1857) შემდეგ მონაწილეობდა რევ. წლისთავისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაში (1860), რისთვისაც დააპატიმრეს (გაათავისუფლეს 1867). იყო საყოველთაო მუშათა კავშირის თავ-ჯე.

ტანძია, სოფელი ბოლნისის რ-ნში (აკაურთის სოფსაბჭო), ქვემო ქართლის ბარის დას. ნაწილში, მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, ბოლნისიდან 16 *კმ*. დარბაზის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო პუნქტი. ტ-ში დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი, არის მისი სახლ-მუზეუმი.

სოფელში შემონახულია 2 ეკლესია და სასახლის ნანგრევები. ერთი ეკლესია აუგია პაპუნა ორბელიანს 1670, მეორე — სულხან-საბა ორბელიანის მამას, მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანს 1683.

ტანრწარილასებრნი (Colydidae), ხოჭოების ოჯახი. აქვთ წაგრძელებული, ცილინდრული ან გაბრტყელებული, იშვიათად — ოვალური სხეული, რ-ის სიგრძე 1,5—16 *მმ* (სსრკ-ში გავრცელებული სახეობებისა 8 *მმ*) აღწევს. ოჯახში 1500-მდე სახეობაა, რ-თაგან სსრკ-ში დაახლ. 80 გვხვდება. ბინადრობენ ხის ქერქის ქვეშ სხვა მწერების სავალებში, იშვიათად — სოკოებსა და მცენარეულ ნარჩენებში. მტაცებლები ან *საპროფაგები* არიან. მტაცებელი ტ. იკვებებიან ქერქიჭამიებით, მათი მატლებითა და სხვ. ზოგი ტ-ის მატლი სხვა ხოჭოების მატლების გარეგანი პარაზიტია.

ტანჯუნგპრიოკი (Tandjungpriok), ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტის საზღვაო ნავსადგური. გაშენებულია კ. იავაზე, ჯაკარტის ყურეში, დედაქალაქიდან 13 *კმ*. ჯაკარტას უკავშირდება რკინიგზით, საავტ. გზითა და სანაოსნო არხით. ინდონეზიის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური (ტვირთბრუნვა დაახლ. 10 მლნ. ტ წელიწადში). ვერფი.

ტანჰოიზერი (Tannhäuser, შუაზემოგერმ. Tannhuser) (დაახლ. 1205, ზალცბურგი ან ნოიმარქტის ახლოს, ბავარია,— 1266-ის შემდეგ), გერმანელი მინეზინგერი. მისი შემოქმედება (სამიჯნურო სიმღერები, 1 ჯვაროსნული ლაშქრობის სიმღერა, 6 „ლაიხი", სენტენციები) გამოხატავს მინეზანგის კრიზისსაც და მისი დაძლევის ცდასაც. ტ. დასცინის რაინდულ სამიჯნურო მსახურებას, ამავე დროს მინეზანგში შეაქვს სოფლის თემატიკა ყოველგვარი მანერულობისა და ირონიის გარეშე. XIV—XV სს-ში ტ-ზე შეიქმნა ლეგენდა, რომ იგი აიზენახის მახლობლად, ვენერას მთაზე, სიყვარულის ქალღმერთის მსახურად იქცა; ეს თქმულება სხვადასხვა დროს დაამუშავეს ლ. ტიკმა, რ. ვაგნერმა და სხვ.

ტაო, მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, მდ. ჭოროხის შუა დინების აუზში (ახლანდ. თურქ. ტერიტორია). პირველად მოხსენიებულია ძვ. წ. 1112 ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის წარწერაში „დაიაენის" სახელწოდებით; ურარტულ წყაროებში „დიაუხის" სახელითაა ცნობილი; ძვ. წ. 401 ბერძენი მხედართმთავარი ქსენოფონტი ამ მხარის მოსახლეობას „ტაოხებად" მოიხსენიებს (აქეე არიან მოხსენიებული აგრეთვე სხვა დასავლურ-ქართული ტომები: ხალიბები, სკვითინები). ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ტ. შედიოდა კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში; ამავე პერიოდში აქ უნდა დაწყებულიყო აღმოსავლურ-ქართული ტომების მიგრაცია და კულტ. ზეგავლენა. აღმოსავლურ-ქართველური სახელმწიფოს— ქართლის სამეფოს — წარმოქმნის (ძვ. წ. IV—III სს.) ხანაში ტ. მისი ორგანული ნაწილი იყო. ძვ. წ. II ს. დასაწყისში სომხ. სახელმწიფო დაეუფლა. შემდგომ საუკუნეებში ტ. საცილობელი ტერიტორია იყო ქართლსა და სომხეთს შორის. ახ. წ. I—II სს-ში ტ. კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ იგი კვლავ სომხეთმა მიიერთა და IV—VII სს-ში ტ. მამიკონიანთა ფეოდ. საგვარეულოს სამფლობელო იყო. სომხ. სახელმწიფოს ორბიტაში ყოფნა იწვევდა სომხ. კულტურის დანერგვასა და გაძლიერებას, მიგრირებული სომხ. ეთნ. ელემენტის მომძლავრებას. ქართ. მოსახლეობა თანდათან კარგავდა თავის ეთნიკურ-კულტ. სახეს. რელიგ. დაპირისპირების ვითარებაში, როცა სომხ. ეკლესიამ *მონოფიზიტობა* აღიარა, ქართ. ეკლესიამ კი *დიოფიზიტობა*, ტ. დიოფიზიტობის ძლიერ ცენტრს წარმოადგენდა; VII ს-ში ქართ. მოსახლეობა უბრუნდებოდა თავის ეთნიკურ-კულტურულ წრეს; VIII ს-იდან, როცა ტ. პოლიტიკურადაც ქართლის სამეფოს შეუერთდა, ეს პროცესი უფრო გაძლიერდა. VIII—IX—X სს-ში აქ ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა (*ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი, ოთხთა ეკლესია* და სხვ.). ტ. გადაიქცა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ერთ-ერთ უდიდეს კერად; აქ მიეცა დასაბამი ბაგრატიონთა დინასტიის მეფობას. ტ-ში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი სახელმწ. მოღვაწენი: *აშოტ I* დიდი კურაპალატი, *დავით III* კურაპალატი, *თორნიკე ერისთავი*; კულტურის მოღვაწენი: *ოთნე მთაწმიდელი, ეფთვიმე მთაწმიდელი* და სხვ. XII — XIII სს-ში ტ საქართვ. ფეოდ. მონარქიის სანაპირო საერისთავო იყო. XIII ს. II ნახევრიდან სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში შედიოდა, XIV ს-იდან — კვლავ ერთიანი საქართვ. შემადგენლობაშია. XV ს. II ნახევრიდან საქართვ. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ტ. სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაში იყო. XVI ს. 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს დას. მხარეები, მ. შ. ტ., ოსმალეთმა დაიპყრო.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1955—59; ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩული, თბ., 1954; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1—2, თბ., 1977—80.

დ. მუსხელიშვილი.

ტაონები, ტ-ლ ე პ ტ ო ნ ე ბ ი, *ლეპტონების* ჯგუფის არასტაბილური *ელემენტარული ნაწილაკები*, რ-ებიც არ მონაწილეობენ ელემენტარული ნაწილაკების ძლიერ *ურთიერთქმედებაში*. მათი მასა m_τ=1785 *მეგა*ე, სპინი — 1/2, სიცოცხლის ხანგრძლივობა — $2{,}2 \cdot 10^{-6}$ *წმ*. ისე როგორც სხვა ლეპტონებს, ელექტრონსა და მიუონს, ტ-ს აქვს თავისი ნეიტრინო, ე. წ. ტაონური ნეიტრინო (ν_τ). ყველა სუსტი ურთიერთქმედების პროცესში ტ. (τ) და ტაონური ნეიტრინო (ν_τ) ერთად მონაწილეობენ. ამ ურთიერთქმედების მეშვეობით ტ. იშლება სხვადასხვა ლეპტონად და *ჰადრონად*. *ჯ. ჩქარეული.*

ტაოხები, ისტორიული საქართველოს სამხრ.-დას. რაიონებში (*ტაოს* მხარე) მცხოვრები ქართველი ტომი. *ქსენოფონტის* ცნობით, ტ-ის კუთვნილი მიწა-

წყალი მდ. ჭოროხის სათავეებთან იყო. მეომარი, მამაცი, ძლიერი და თავისუფლებისმოყვარე ტ., ისევე როგორც სხვა მათ მეზობლად მცხოვრები ტომები, ძვ. წ. V ს. დასასრ. აღარ ემორჩილებოდნენ სპარს. მეფეს. ომიანობის დროს თავს აფარებდნენ მთის წვეროებზე გალავნით გამაგრებულ მიუვალ ადგილებს, აქედ იმარაგებდნენ სურსათს. ტ-ის ერთი ასეთი გამაგრებული პუნქტი ძვ. წ. 401 ბრძოლით აულიათ ბერძნებს მათ ტერიტორიაზე გავლის დროს. ტ-ს ბერძნებისათვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მათი სოფლებიდან ბერძნებს დიდძალი პირუტყვი ჰაუსპამთ.

ლიტ.: მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *მ. ინაძე.*

ტაპეტუმი (გვიანდ. ლათ. tapetum< ბერძნ. tapēs — საფარველი, ხალიჩა), უჯრედების ერთი ან, იშვიათად, რამდენიმე შრე უმაღლეს მცენარეთა უმეტესობის *სპორანგიუმში;* მდებარია საკვები და ფიზიოლოგიურად აქტ. ნივთიერებებით. სპორანგიუმის ან მიკროსპორანგიუმის კედლის შიგნითა შრეა. ტ-ის ნივთიერებები საკვებად ხმარდება მოზარდ სპოროციტებსა და სპორებს, თესლოვანი მცენარეების მტვრის მარცვლებს. ტ. არსებობის მთელ მანძილზე ინარჩუნებს უჯრედულ აღნაგობას (სეკრეტორული ტ.) ან შემდგომ წარმოქმნის პერიპლაზმოდიუმს (ამებოიდური ტ.).

ტაპიოკა (პორტუგ. tapioca — ნასესხებია ინდიელთა ტომის, ტუპი-გუარანის, ენიდან), ბურღულეა, რ-იც მიიღება სამხრეთ-ამერიკული მცენარის — *მანიოკის* გორგლებიდან. კარგად ითვისებს ორგანიზმი. ძირითადად აწარმოებენ ტროპ. აზიის, აფრ. და სამხრ. ამერ. ქვეყნები.

ტაპირისებრნი (Tapiridae), ძუძუმწოვრების ოჯახი კენტჩლიქოსნების რიგისა. აქვთ მასიური ტანი, პატარა ხორთუმი დინგზე, მოკლე ჟურები, კუდი და ფეხები (წინა ფეხებზე 4-4 თითი, უკანაზე — 3-3). თითები ჩლიქებით მთავრდება. მათი სხეულის სიგრძე 180—250 *სმ*, სიმაღლე მიხდაოში — 75—120 *სმ*, მასა 200—300 *კგ* აღწევს, გავრცელებული არიან ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში, სამხრ.-აღმ. აზიაში. ყველაზე მეტად ცნობილია ამერიკული ტაპირი, რ-იც ფერად შავია, და ორთუკიანი ტაპირი, რ-იც ბირმაში, ტაილანდში, მალაკის ნ.-კ-სა და კ. სუმატრაზე გვხვდება. ტ. ბინადრობენ ნოტიო-ჭაობიან ტყეში. მაკეობა 400 *დღ-ღ* გრძელდება. შობს ერთ ნაშიერს. იყენებენ ტ-თა ხორცსა და ტყავს. *ა. ჯანაშვილი.*

ტარა (იტალ. tara), საქონლის ჭურჭელი ან მასალა, რ-იც საჭიროა საქონლის მოსათავსებლად, შესაფუთად და დასაცავად. კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობის ერთ-ერთი აუცილებელი მატერ. პირობაა.

ტ. იყოფა 3 ჯგუფად: შინა (სამომხმარებლო), საამქრო (შიგა-საქარხნო) და საგარეო (სატრანსპორტო). ყველა სახეობის ტ. უნდა იყოს მსუბუქი, მტკიცე და იაფი. ტ-ის წარმოებისა და ექსპლუატაციის ხარჯები მნიშვნელოვნად მცირდება სპეციალიზაციის, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის განვითარების შედეგად. ხის ტ-თან შედარებით ძალიან ეკონომიურია მუყაოს, ქაღალდის, პოლიეთილენისა და მისთ. ტ.

ტარა, მდინარე რსფსრ ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქებში, ირტიშის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 806 *კმ*, აუზის ფართ. 18300 *კმ*². სათავე აქვს ვასიუგანიეს ვაკეზე. შერეული საზრდოობის მდინარეა, ჭარბობს თოვლის წყალი. წყალღვიდობა იცის აპრ-იდან ივლ-მდე. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 108 *კმ*-ზე 40,8 *მ*³/*წმ*. იყინება ოქტ. ბოლოსა და ნოემბერში. ყინულძვრაა აპრ. ბოლოსა და მაისის I ნახევარში. სანაოსნოა შესართავიდან 350 *კმ*.

ტარა, ქალაქი რსფსრ ომსკის ოლქში, ნავმისადგომი მდ. ირტიშის მარცხ. ნაპირზე. ტარის რ-ნის ცენტრი. სას.-სამ. მანქანების დეტალების, სანაოვებლების, აღალის ინვენტარისა და სხვ. დამზადება; ხორცის, ყველ-კარაქის, საფქვავი კომბინატები, თევზის, ლუდის, აგურის ქ-ნები, ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფ-კები. ტ. დაარსდა 1594.

ტარაბუა, მოსავლის ასაღები მანქანების (სამკალის, კომბაინის და სხვ.) სამკელი ნაწილის მუშა ორგანო რ-ის დანიშნულებაა სას.-სამ. კულტურების ეროზიის მიწოდება მჭრელი აპარატისათვის, ჭრის დროს მათი დაჭერა და სამკალის ტრანსპორტიორზე დაწყობა.

ტარაგონა (Tarragona), ქალაქი და ნავსადგური ესპანეთში, კატალონიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ტარაგონის პროვ. ადმ. ცენტრი. 109 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო კვანძი. ხილსაკონსერვო, თამბაქოს, ქაღალდის მრეწველობა. გემების რემონტი. თევზჭერა.


ტარავა (Tarawa), კირიბატის დედაქალაქი. მდებარეობს ატოლ ტარავაზე, წყნარ ოკეანეში. 18 ათ-ზე მეტი მცხ. (1981). ნავსადგური. სავაჭრო ცენტრი. კოპრისა და ფოსფატების წარმოება და ექსპორტი.

ტარაკანები (Blattodea), მწერების რიგი; ახასიათებთ არასრული გარდაქცევა. მათი ბრტყელი ან ოვალური სხეულის სიგრძე 4 *მმ*—9,5 *სმ* აღწევს. აქვთ სამკუთხა თავი, რ-იც დაფარულია ფარისებრი წინა ზურგით, მღრღნელი ტიპის პირის ორგანოები, მრავალწაწვერიანი, ჯაგრისებრი ულვაშები, მკვრივი ზედა და სიფრიფანა ქვედა ფრთები, სარბენი ფეხები, 5-ნაწევრიანი თათები, 8—10-ნაწევრიანი ბრტყელი მუცელი ბოლოზე გრძელი ცერკებით, მთლიანად ჩამალული კვერცხსადები. ბინადრობენ ტყეში, გამხმარი ხეების, ჩამოცვენილი ფოთლების ქვეშ, მღრღნელების სოროებში, ადამიანის საცხოვრ. ბინებში (იხ. *სინანთროპული ორგანიზმები*). კვერცხებს დებენ სპეც. კაფსულებში — ოოთეკებში. ზოგიერთი ტროპ. სახეობა ცოცხლადმშობია. მატლების განვითარება რამდენიმე თვიდან (Blattella germanica) 4 წლამდე (Blatta orientalis) გრძელდება. იკვებებიან ცხოველური და მცენარეული ნარჩენებით. ტ. აბინძურებენ საკვებ პროდუქტებს, აზიანებენ ტყავის ნაწარმს, წიგნის ყდებს, ოთახისა და სათბურის მცენარეებს. ზოგი ტ. ინფექციური დაავადების (მაგ., დიზენტერიის), პარაზიტული ჭიების კვერცხების გადამტანია. ნამარხი ტ. ცნობილია ქვანახშირის პერიოდიდან (დაახლ. 3000 სახეობა). ტ. ბევრია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სსრკ-ში ცნობილია 55 სახეობა, საქართველოში — 8 (ამერიკული ტ., შავი ტ., ქარცი ტ. და სხვ.). *მ. სეფერთელაძე.*

ტარანი პავლე ანდრიას ძე [დ. 5 (18). X. 1916, სოფ. შოლოხოვო, ნიკოპოლის რ-ნი, დნეპროპეტროვსკის ოლქი], ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი (20. VI. 1942 და 13. III. 1944), ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (1967). სკკპ წევრი 1942-იდან. წითელი არმიის რიგებშია 1937-იდან. 1938 დაამთავრა კაჩის ა. მიასნიკოვის სახ. მფრინავთა სამხ.-საავიაციო სკოლა, 1958 — გენშტაბის სამხ. აკადემია. დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში მეთაურობდა რგოლს, ესკადრილიას, 1945 აპრ-იდან — 240-ე გვარდიულ ბომბდამშენ საავიაციო პოლკს. აქვს 386 საბრძოლო გაფრენა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტარანი (Rutilus rutilus heckeli), თევზი კობრისებრთა ოჯახისა. აქვს მაღალი, გვერდებიდან შებრტყელებული, მსხვილი ქერცლით დაფარული სხეული. პირი თითქმის თავის ბოლოზეა მოთავსებული, ხახის კბილები (6—5, იშვიათად 6-6, 5-5) ერთ მწკრივადაა განლაგებული. ტ-ის სიგრძე 50 *სმ*, მასა — 1 *კგ* აღემატება. გავრცელებულია აზოვისა და შავი ზღვების გამტკნარებულ სანაპირო ზოლში. შედის მდინარის ქვემო დინებაში, იქ მრავლდება მარტიდან ივნ-მდე. ყრის 6—200 ათ-მდე ქვირითს. იკვებება ძირითადად კიბოსნაირებით და ლოკოკინებით. სარეწაო თევზია. *რ. ელანიძე.*

ტარანი, 1. ციხესიმაგრის კედლების, კოშკებისა და კარიბჭეების სანგრევი ძველებური საალყო იარაღი (მოძრავ ხის კოშკში ჯაჭვით ან გვარლით ჩამოკიდებული რკინის ან ბრინჯაოსთავიანი მორი); 2. მტრის ხომალდისათვის ტარანულად საძგერებელი წყალქვეშა შვერილი ხომალდის ცხვირზე; 3. საჰაერო, სატანკო და საზღვ. ბრძოლაში გამოსაყენებელი ხერხი. საჰაერო ბრძოლაში მტრის თვითმფრინავს აზიანებენ თავისი თვითმფრინავის ფუზელაჟის ან საჰაერო ხრახნის დარტყმით. სატანკო ბრძოლაში მტრის ტანკს (ჯავშანტრანსპორტიორს) აზიანებენ ტანკის კორპუსის დაჯახებით. საზღვ. ტ-ს იყენებდნენ ნიჩბიან და აფრიან ფლოტში. XIX ს-იდან ტ. აღადგინეს ჯავშნოსან ფლოტში. XX ს. წყალზედა ხომალდები ტ-ს იშვიათად მიმართავდნენ წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ.



ტარაკანები: 1 — ჩვეულებრივი ტარაკანი; 2,3—შავი ტარაკანი (2—მამალი, 3—დედალი); 4—ფილიპინური ტარაკანი (ა), რომელიც ემსგავსება ჭიამაიას (ბ).

ტარანტელა [იტალ. tarantella<Taranto—ტარანტო (ქალაქი სამხრ. იტალიაში)], იტალიური ხალხური ცეკვა. მუს. ზომა 6/8, 3/8; ტემპი ჩქარი. სრულდება გიტარის, ტამბურინისა და კასტანიეტების, ზოგჯერ სიმღერის თანხლებით. პროფ. მუსიკაში შექმნილია ტ-ს ფორმის ვოკალური და საკრავიერი პიესები (როსინი, ლისტი, შოპენი, გლინკა, ჩაიკოვსკი, პროკოფიევი), მრავალი მათგანი ვირტუოზული ხასიათისაა.

ტარანტო (Taranto), ყურე იონიის ზღვაში, იტალიის სამხრ.-ით, სალენტინისა და კალაბრიის ნ.-კ-ებს შორის. სიგრძე 138 *კმ*, სიგანე შესასვლელთან 133 *კმ*, სიღრმე 2657 *მ*-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 0,3 *მ*. ყურის წვეროში არის დიდი ნავსადგური ტარანტო.

ტარანტო (Taranto), ქალაქი და ნავსადგური სამხრ. იტალიაში, აპულიის ოლქში, ტარანტოს ყურის (იონიის ზღვა) ნაპირზე. ტარანტოს პროვ. ადმ. ცენტრი. 249 ათ. მცხ. (1980). სამხრ. იტალიის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრ. ცენტრი. მეტალ., ქიმ., მანქანათსაშ., ცემენტის, ნავთობდასამუშ., კვების მრეწველობა. თევზჭერა. ხამანწკის სარეწი.


პ. ტარანი.

ტარანტული, *ობობასნაირთა* კლასის რამდენიმე სახეობის ზოგადი სახელწოდება. ტანად საკმაოდ დიდი (20—30 *მმ* სიგრძის), ფეხსახსრიანი ცხოველებია. ბინადრობენ უდაბნოებში, ნახევრად უდაბნოებსა და ტყე-ველებში. სოროს იკვეთებენ ნიადაგში 60 *სმ*-მდე სიღრმეზე. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული Lycosidae-თა რამდენიმე სახეობა. ამათგან Licosa singoriensis-ს საშიში შესახედაობის გამო „ობობა-მგელს“ უწოდებენ. ყველა ტ. მეტ-ნაკლებად შხამიანია, მაგრამ ადამიანისათვის საშიში არ არის. *თ. მზეიძე.*



ტარანტული. რუსული ტარანტული.

ტარასა (Tarrasa), ქალაქი ესპანეთში, კატალონიაში, ბარსელონის პროვინციაში. 56 ათ. მცხ. (1981). ბარსელონის ჭალაქ-თანამგზავრი. მაუდის, ბამბის ქსოვილების წარმოება და ელექტროტექ. მრეწველობა.

ტარასაშვილი გიორგი მიხელის ძე (22. II. 1900, სოფ. ველისციხე, ახლანდ. გურჯაანის რ-ნი, — 29. VII. 1971, თბი-



ა. ტარასოვა.



ტარბი: 1—მამალი; 2—დედალი.

ლისი), ქართველი საბჭ. ნიადაგთმცოდნე. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი და პროფესორი (1951), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1927 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. 1951—70 საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრის პროფესორი იყო, შემდეგ — მეცნიერ-კონსულტანტი. შეისწავლა კახეთის რ-ნების ნიადაგები. გამოიკვლია საქართვ. მაღალმთიანეთის, ალპ. და სუბალპ. ზონების ნიადაგები. საფუძველი ჩაუყარა მთა-მდელოს ნიადაგების სისტემატიკისა და გენეზისის შესწავლას, შექმნა შრომები ტყის ყომრალი ნიადაგების შესახებ და სხვ. ეკუთვნის სახელმძღვანელოები და ნაშრომები: „ნიადაგთმცოდნეობის შემოკლებული კურსი“ (1935), „ნიადაგთმცოდნეობა“ (1965), „აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები“ (1956) და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

თ. ჩხეიძე.

ტარასკები (საკ. სახელწ. — პ უ რ ე პ ე ჩ ა), ინდიელი ხალხი მექსიკაში. რაოდ. დაახლ. 80 ათ. კაცი (1978, შეფასება). ლაპარაკობენ მშობლიურ ენაზე, უმრავლესობამ ესპანურიც იცის. XVI ს. დასაწყისისათვის ჰქონდათ დამოუკიდებელი ადრინდ. სახელმწიფოებრივი გაერთიანება. კოლონიალიზმის პერიოდში მათ მიწებზე დასახლება დაიწყეს ესპანურენოვანმა მეტისებმა, მაგრამ ტ-მა მაინც შეინარჩუნეს ეთნ. ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი და თავისებური კულტურა. მათი ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება (სიმინდი, ბოსტნეული, ხილი). ტბის ნაპირზე — თევზჭერა. განვითარებულია ხელოსნობა — ჭილოფების, ბადეების წვნა, მეთუნეობა და სხვ. ოფიც. რელიგია — კათოლიკობა, ინარჩუნებენ წინაქრისტიანულ რწმენებსაც.

ტარასოვა ალა კონსტანტინეს ასული [25. 1 (6. II). 1898, კიევი, — 5. IV. 1973, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1937), სოციალ. შრომის გმირი (1973). სკკპ წევრი 1954-იდან. 1916-იდან მოსკ. სამხატვრო თეატრის მსახიობი. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მოწაფე. ტ-ს შემოქმედების მწვერვალი იყო როლები ჩეხოვის [ანია („ალუბლის ბაღი“), სონია, ელენა ანდრეევნა („ძია ვანია“), ირინა, მაშა („სამი და“)]; ოსტროვსკის [ნეგინა („ტალანტები და თაყვანისმცემლები“), კრუჩინინა („უდანაშაულო დამნაშავენი“)]; გორკის [ტატიანა („მტრები“), ვარვარა („მოაგარაკენი“)] პიესებში. სხვა საუკეთესო როლები: ანა („ანა კარენინა“ ტოლსტოის მიხედვით), ტოპილინა („გული არ პატიობს“ სოფრონოვის მიხედვით) და სხვ. კინოში შესრულებული როლები: კატერინა („ჭექა-ქუხილი“, 1934), ეკატერინე („პეტრე I“, 1937—39) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1941, 1946—ორჯერ, 1947, 1949). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტარაფა იბნ აბდ ალ-ბაქრი (დაახლ. 543—569), არაბი პოეტი. დაიბადა სპარს. ყურის მიდამოებში — ბაჰრეინში, მომთაბარე ბაქრის ტომის დიდგვაროვან ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ ბიძები დევნიდნენ მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად და იმ საბაბით, თითქოს პოეტი აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა და ქონებას ფლანგავდა. დევნილი პოეტი დიდხანს ხეტიალობდა არაბ. უდაბნოში. ბოლოს დაბრუნდა და, ტომის ბელადების ნების თანახმად, ბიძაშვილს დაუდგა მწყემსად. შემდგომ წლებში ამრ იბნ ჰინდის (554—568) კარზე იყო ჰირაში, მაგრამ ვერ შეეგუა კარის პოეტის მდგომარეობას და მმართველისა და კარისკაცების წინააღმდეგ მიმართული გესლიანი ჰიგრამებისათვის ბაჰრეინში გაგზავნეს, სადაც იბნ ჰინდის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

ტ-ს პოეტური მემკვიდრეობა ზეპირად ვრცელდებოდა (ჩაიწერეს IX ს-ში). მის კასიდებს შორის აღსანიშნავია *მუალაკა*. იგი იწყება ტრადიციულად — მიტოვებული სადგომისა და განშორებული სატრფოს აღწერით, რასაც მოსდევს აქლემის უბადლო აღწერა. მომდევნო ნაწილში პოეტი ემდურის თავის ბიძაშვილს, ხოლო თავის ფუქსავატურ დროსტარებას ამართლებს ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებით. მუალაკა გამსჭვალულია ნიჰილიზმითა და წარმართული ფატალიზმით. მკვლევართა აზრით, იგი ჯაჰილიის (ისლამამდელი) პერიოდის საუკეთესო ნიმუშია. მასში დიდი სინატიფითა და ოსტატობითაა გადმოცემული არა მარტო საკუთარი ბედის უკუღმართობა და განცდები, არამედ ისტ. თვალსაზრისით მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი.

ლიტ.: Фильштинский И. М., Арабская классическая литература, М., 1965.

ტარალანა (Acipenser stellatus), თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 220 *სმ*, მასა 68 *კგ*. აღწევს, დაფარულია ხუთ რიგად განლაგებული ძვლოვანი ფარეკლებით. აქვს მეტად გრძელი, ვიწრო და შებრტყელებული დინგი, სადა და მოკლე ულვაშები. გვხვდება კასპიის, შავი და აზოვის ზღვების აუზში, მრავლდება მდ-ებში აპრ-იდან სექტმდე (ადის რიონშიც). დაახლ. 20 ათიდან 363 ათ-მდე. ქვირითს ყრის ქვაქვიშიან ფსკერზე. იკვებება უხერხემლოებითა და თევზებით. ტ. ძვირფასი სარეწაო თევზია. იყენებენ ხელქს, შებოლილს, ხიზილალას, ზურგის სიმს, საცურავ ბუშტს, შიგნეულობას; ამზადებენ დომს, ზურგიელს, კონსერვებს. ტ-ს ხელოვნურადაც აშენებენ. ცნობილია მისი ნაჯვარი ზუთხთან, ქრცვინთან და ფორეჯთან.

ვ. შარვაშიძე.

ტარბი (Pastor [Sturnus] roseus), ფრინველი *ბეღურასნაირთა* რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 23 *სმ* აღწევს. ვარდისფერია, თავი, ფრთები და ბოლო მოლურჯო-შავი აქვს. გავრცელებულია ველებისა და ნახევრად უდაბნოს ზონაში — უნგრეთ-იუგოსლავიიდან დას. ალთაისა და ავღანეთამდე. ზამთრობს ინდოსტანის ნ-კ-ზე. საქართველოში გეხვდება როგორც მობუდარი გადამფრენი ფრინველი (აპრ-სექტ-ში). ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს კლდის ნაპრალში, ქვების ნაშალში და სხვ. დებს 5—6 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 15 *დღ-ღ*. დიდი რაოდენობით სპობს კალიას. ხშირად ნომადობს კალიების გუნდებთან ერთად. შემოდგომით ზიანს აყენებს ბაღ-ვენახებს.

რ. ჟორდანია.

ტარდენუის კულტურა, გვიანდელი მეზოლითის ხანის (ძვ. წ. VII—IV ათასწლ.) არქეოლოგიური კულტურა. სახელი ეწოდა ჩრდ. საფრანგეთში, ქ. ფერ-ან-ტარდენუის (La Fére-en-Tardenois) გარეუბანში მდებარე ნამოსახლარების მიხედვით. 1896 გამოყო გ. მორტილიემ. ტ. კ. საფრანგეთს გარდა გავრცელებულია ბულგარეთში, ინგლისში, გფრ-ში. ტ. კ-თან ახლოს მდგარი ამავე დროის კულტურები გვხვდება აგრეთვე ცენტრ. ევროპასა და სსრკ ევრ. ნაწილში. საფრ. ტ. კ-ში გამოიყოფა 3 ეტაპი. ყველაზე გვიანდ. განეკუთვნება ადრინდ. ნეოლითს, მისთვის დამახასიათებელია პრიმიტ. კერამიკა, შინაური ცხოველები. ტ. კ-ის ნამოსახლარები უმთავრესად განლაგებული იყო ბორცვებზე, სადაც პირველყოფილ მონადირეთა, მეთევზეთა და შემგროვებელთა ჯგუფები ბინადრობდნენ. კ. ტეივიეკზე გათხრილია მდიდარი სამაროვანი.

ტარდი (Tardy) ლაიოშ (დ. 28. VII. 1914, ბუდაპეშტი), უნგრელი ისტორიკოსი, მწერალი, მთარგმნელი. იკვლევს უნგრ.-საქართვ. ურთიერთობათა საკითხებს. 1973 თბილისში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუაეროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“ (წიგნად დაიბეჭდა თბილისში, 1980). ტ-ს ეკუთვნის აგრეთვე ქართ. თემაზე დაწერილი ისტ. რომანი „იაკუბ ბეი“ (თბ., 1971).

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა, «მნათობი», 1980, №12.

ტარეევი ევგენი მიხეილის ძე [დ. 13 (25). V. 1895, ფსკოვი], საბჭ. თერაპევტი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1948). სოციალ. შრომის გმირი (1965). 1917 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1936-იდან იყო მოსკ. III სამედ. ინ-ტის საფაკულტეტო თერაპიის, ხოლო 1951-იდან — მოსკ. I სამედ. ინ-ტის თერაპიისა და პროფ. დაავადებათა კათედრების გამგე, ერთდროულად (1929—51) განაგებდა ე. მარცინოვსკის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედ. ინ-ტის კლინიკას. ტ-ის ძირითადი შრომები ეხება ღვიძლის, თირკმლების, კოლაგენური დაავადებებისა და შინაგანი დაავადებების სხვა საკითხებს, აგრეთვე ლაბორ. საქმის, მედ. ისტ. მნიშვნელოვან პრობლემებს. ტ-მა პირველმა (1940, პ. სერგიევთან ერთად) აღწერა შრატისმიერი ჰეპატიტი და ექსპერიმენტულად აღადგინა დაავადება. შეისწავლა ღვიძლის ვირუსული ციროზი, მოგვცა თირკმლის დაავადებათა კლასიფიკაცია, დაამუშავა იმუნონეფროლოგიის მრავალი საკითხი. თერაპიული კლინიკის ბაზაზე შექმნა სსრკ-ში ქრონ. ჰემოდიალიზის პირველი ცენტრი. სსრკში პირველმა აღწერა კვანძოვანი პერიარტერიტიის დიაგნოსტიკა და სხვ. მონოგრაფიისათვის „მალარიის კლინიკა“ მიენიჭა სახელმწ. პრემია (1946), მონოგრაფიისათვის „ნეფრიტები“ — სსრკ მედ. მეცნ. აკად. ს. ბოტკინის სახ. პრემია (1962), რევმატიზმის შესახებ ნაშრომისათვის — ლენინური პრემია (1974); ამილოიდოზის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისათვის — სსრკ სახელმწ. პრემია (1983, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად). თერაპევტთა სრულიად რუს. საზ-ბის (1966-იდან) და ნეფროლოგთა საკავშ. საზ-ბის (1969-იდან) თავ-რე. საზღვარგარეთის მრავალი სამედ. საზ-ბის საპატიო წევრი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Внутренние болезни, 3 изд., М., 1957; Коллагенозы, М., 1965 (თანაავტ.); Эпидемический гепатит, М., 1970 (თანაავტ.).

ტარიბანა, ვაკე-ტაფობი ივრის ზეგანზე. სიგრძე 15 *კმ*, სიგანე 8,5 *კმ*. ტაფობის ფსკერის სიმაღლე 423—465 *მ*. ტაფობი განვითარებულია სინკლინურ ნაოჭში. აგებულია მეოთხეული ალუვიურ-ფლუვიალური თიხნარებით. დას. ნაწილი გადაკვეთილია მდ. ქუმისხევით. სამხრ-ით უერთდება ნატბეურის ტაფობს. ტაფობში დიდი სისქის წაბლა და მუქი წაბლა ნიადაგებია, რ-იც ათვისებულია სას.-სამ. კულტურებისათვის. პერიფერიულ ზოლში გორაკ-ბორცვებზე ბალახმცენარეულობაა (უროიანი და ვაციწვერიანი სტეპები).

გ. ჩანგაშვილი.

„ტარიელიანი“, ქართული ზეპირსიტყვიერი გადმოცემები გმირ ტარიელზე. სახელწოდება პირობითია, შექმნილია ლიტ. ძეგლების *„ამირანდარეჯანიანისა“* და *„ვისრამიანის“* ანალოგიით, სავარაუდებელია XII ს. შემდეგ. ქართ. ფოლკლორში გვხვდება „ტარიელის ამბავი“, „ტარიელის ზღაპარი“, „ტარიელის ლექსი“, „ქაჯ-ტარიელის ზღაპარი“, „ტარიელის არაკი“, „გმირი ტარიელი“. ამ სათაურით „ტ-ის“ სრული ვარიანტი პირველად 1936 დაიბეჭდა. ძეგლის შინაარსი ძირითადად ვეფხისტყაოსანს ემთხვე-

ვა. პროზაული და ლექსითი ვარიანტები ჩაწერილია საქართვ. ყველა კუთხეში, მ. შ. სამეგრელოშიც, ქართ., სვან., ოსურ ენებზე. გვხვდება ანალოგიური შინაარსის უზბ. დასთანიც. „ტ-ის“ პუბლიკაციას სათავე დაუდო გაზ. „ივერიამ“ 1887; ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1905 „ხალხური ვეფხისტყაოსანის“ სახელწოდებით (ს. მერკვილაძე), 1936 და 1937 გამოქვეყნდა სრული სახით (მ. ჩიქოვანი). „ტ-ისა“ და ვეფხისტყაოსნის ურთიერთობას შეეხო 1890-იან წლებში გაჩაღებული დისკუსია (ვაჟა-ფშაველა, ა. ხახანაშვილი), რ-იც განახლდა 1934—37 (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, გ. იმედაშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, ი. მეგრელიძე, შ. ნუცუბიძე, ქ. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ი. ჯავახიშვილი). „ტ.“ რუსთაველის შემოქმედების ერთ-ერთი წყაროა, თავისი მხრით ვეფხისტყაოსანმაც დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ ვარიანტებზე. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, „ტ-ის“ ერთ-ერთი წყარო ვეფხისტყაოსანია.

ლიტ.: ბარამიძე ა., შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966; კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგნ. 2, თბ., 1967; ჩიქოვანი მ., ხალხური ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937; მისივე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1966; Мегрелидзе И. В., Руставели и фольклор, Тб., 1960. *მ. ჩიქოვანი.*

ტარიბი, მდინარე დას. ჩინეთში (აუზის ნაწილი სსრკ-ის ფარგლებშია). სიგრძე 2030 *კმ* (ცენტრ. აზიის უგრძესი მდინარე), აუზის ფართ. 951,5 ათ. *კმ*^{2} (ლობ-ნორისა და ყარაბურანჭოლის ტბების აუზებთან ერთად). ტ-ის მთავარ შემადგენლად ითვლება მდ. იარქენდი, რ-საც სათავე აქვს ყარაყორუმის მთებში. ტ. ეწოდება იარქენდის, აქსუსა და ხოტანის შეერთების შემდეგ. ზოგიერთ წელიწადს მდ-ები იარქენდი და ხოტანი შრება. შუაწელსა და ქვემოთში ტ. იტოტება. ქვემო დინებაში პერიოდული ნაკადებით ზოგჯერ მდ. კონჩედარიას უკავშირდება. უწინ ტ-ს უერთდებოდა მდ-ები კაშგარი, ტიზნაფი, კერია, ამჟამად მათი წყალი სარწყავად არის გამოყენებული ან ქვიშაში იკარგება. ტ. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით, ზემოთში — ყინულის წყლით. წყალდიდობა იცის მაისიდან ოქტ-მდე. წყლის მაქს. ხარჯი შუა დინებაში 2500 $მ^3/წმ$-ზე მეტია. ზამთრობით იყინება. მდიდარია თევზით. არის წყალში მცურავი ფრინველები. ქვემოთში ლერწმის რაყებია. იყენებენ სარწყავად.

ტარიმის ვაკე, იხ. *კაშგარის ვაკე.*

ტარიფი (ფრანგ. tarif < იტალ. tariffa), განაკვეთების სისტემა, რ-ის მიხედვით ანაზღაურდება მომსახურების ფასური. უფრო გავრცელებულია სატრანსპორტო ტ., კავშირგაბმულობის ტ., კომუნალური მომსახურების ტ., საბაჟო ტ.

ტარკვინიუსი ლუციუს პრისკუსი (ძველი) (Lucius Tarquinius Priscus), რომაული ტრადიციით, რომის მე-5 მეფე (ძვ. წ. 616—578). რომში გადმოსახლებულა ეტრუსკთა ქ. ტარკვინიიდან. დაწინაურებულა რომის მეფის ანკუს მარციუსის კარზე. მეფეს თავისი შვილების აღმზრდელად დაუნიშნავს. ანკუს მარციუსის სიკვდილის შემდეგ სენატისა და ხალხის ნებით მეფედ დამჯდარა. რომისათვის დაუმორჩილებია ლაციუში. მას მიაწერენ ცირკის, იუპიტერის ტაძრის მშენებლობას კაპიტოლიუმის ბორცვზე, დიდი კანალიზაციის გაყვანას, ფორუმისათვის ადგილის გამოყოფას.

ტარკვინიუსი ლუციუს სუპერბუს (ამაგი) (Lucius Tarquinius Superbus), რომაული ტრადიციით, რომის უკანასკნელი მე-7 მეფე (ძვ. წ. 534—510). მოუკლავს თავისი სიმამრი — მეფე სერვიუს ტულიუსი და ისე ასულა ტახტზე. მოძალადე და უსამართლო მმართველობით აუმხედრებია რომაელები, რ-თაც პატრიციუს ლუციუს იუნიუს *ბრუტუსის* მეთაურობით რომიდან გაუძევებიათ. ამ ლეგენდაში აისახა ისტ. ფაქტი — რომის განთავისუფლება ეტრუსკთა ბატონობისაგან.

ტარკი, დაბა დაღ. ასსრ-ში, მაჰაჩყალედან 3 *კმ* დაშორებით. აღმოცენდა ყუმუხების მიწაზე, ვოლგისპირეთიდან ამიერკავკ. და ირანისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე. XV ს. დასასრულიდან XIX ს. დამდეგის ჩათვლით *ტარკის საშამხლოს* დედაქალაქი იყო. 1668 დაიკავეს ს. *რაზინის* რაზმებმა. 1821 ტ-ს ადგილზე აშენდა რუს. სიმაგრე ბურნაია. 1884 ტ-ს მახლობლად საფუძველი ჩაეყარა ციხესიმაგრე პეტროვსკოეს (ახლანდ. მაჰაჩყალა).

ტარკილის მღვიმე, ბუნებრივი მღვიმე სოფ. დურიფშის (გუდაუთის რ-ნი) მიდამოებში, მდ. გუდოუს აუზში, ზ. დ. 215 *მ.* გამომუშავებულია ქვედა მეოთხეულ შეცემენტებულ კონგლომერატებში. ჯამური სიგრძე 235 *მ*, საშ. სიმაღლე და სიგანე 2—3 *მ*. ტ. მ-ში გვხვდება სტალაქტიტური ნაღვენთები, მ. შ. კალციტის შთენილი ქერქი. მღვიმეში გაედინება ნაკადი.

ზ. ტინტილოზოვი.

ტარკის საშამხლო, ფეოდალური სამფლობელო დაღესტნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (ცენტრი — *ტარკი*); შეიქმნა XV ს. დასასრ. იმ ტერიტორიაზე, სადაც ყუმუხები სახლობდნენ. ძირითადად მისდევდნენ სოფ. მეურნეობას. XVII ს. I ნახევრიდან ტ. ს. არაერთგზის იყო რუს. ქვეშევრდომი. საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს გულისტანის საზავო ხელშეკრულებით (1813).

ტარკოვსკი არსენი ალექსანდრეს ძე [დ. 12 (25). VI. 1907, ელიზავეტგრადი, ახლანდ. კიროვოგრადი], რუსი საბჭ. პოეტი, მთარგმნელი. სწავლობდა უმაღლეს ლიტ. კურსებზე (1925—29). ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1926. ეკუთვნის პოეტური კრებულები „თოვის წინ“ (1962), „მიწას — მიწისა“ (1966), „მაუწყებელი“ (1969), ლექსები (1974); თარგმანები თურქმ., არაბ., ებრ. და სხვ. ენებიდან. თარგმნა ს. ჩიქოვანის, ს. ეულის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის და სხვ. ქართვ. პოეტთა ლექსები. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

ტარლაკი (Tarlac), ქალაქი ფილიპინებში, კ. ლუსონზე. ტარლაკის პროვ. ადმ. ცენტრი. 30 ათ. მცხ. (1970). აეროსტარადით უკავშირდება მანილას. ბრინჯის ტეხვა, შინასარეწები.

ტარლე ევგენი ვიქტორის ძე [27. X (8. XI). 1875, კიევი, —5. I. 1955, მოსკოვი], საბჭ. ისტორიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1927). 1896 დაამთავრა კიევის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. 1903—17 პეტერბ. უნ-ტის პრივატ-დოცენტი, 1913—18 იურიევის უნ-ტის ხოლო 1917-იდან პეტროგრ. შემდეგ ლენინგრ. და მოსკ. სახელმწ. უნ-ტების პროფესორი. „რუსეთის სკოლის“ ისტორიკოსებიდან ტ-მ პირველმა დაიწყო მუშათა კლასის ისტ. კვლევა, პირველმა გამოიყენა პარიზის, ლონდონისა და ჰააგის არქივებში დაცული დოკუმენტები. მისი შრომა „ევროპა იმპერიალიზმის ეპოქაში“ (1927), მიუხედავად ზოგიერთი სადავო და მცდარი დებულებისა, არის I მსოფლიო ომის (1914—18) წინაისტორიისა და ისტორიის ისტორიულად გააზრების პირველი ცდა. დიდი მეცნ. ღირებულება აქვს მის შრომებს საფრ. მუშათა კლასის რევ. ბრძოლის შესახებ. მასვე ეკუთვნის ისტ. პორტრეტები „ნაპოლეონი“, „ტალეირანი“ და სხვ. შრომები ნახიმოვზე, უშაკოვზე, კუტუზოვზე და სხვ. ტ. მონაწილეობდა კოლექტ. შრომებში „საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია 1789—94“, „დიპლომატიის ისტორია“ და სხვ. მეცნ. კვლევას იგი პუბლიც. და პროპაგანდისტულ მუშაობას უთავსებდა. სსრკ სახელმწ. პრემია (1942, 1943, 1946). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენითა და 2 სხვა ორდენით.

თხზ.: Соч., т. 1—12, М., 1957—62; ნაპოლეონი, თბ., 1942.

ტარნუვი (Tarnów), ქალაქი სამხრ. პოლონეთში, მდ. დუნაეცის ნაპირზე. ტარნუვის სავოევოდოს ადმ. ცენტრი. 107 ათ. მცხ. (1982). სამრეწვ. ცენტრი. დიდი ქიმ. კომბინატი. ელექტროტექ., ჩარხთსაშენი, მინის, სამკერვალო, კვების მრეწველობა. XIV—XVI სს. ძეგლები.



ე. ტარლე.

ტარო (spadix), თავთავისებრი ყვავილედი, რ-ის გამსხვილებულ ხორცოვან ღერძზე, ჩვეულებრივი თავთავისაგან განსხვავებით, ყვავილები უფუნწოდ სხედან (ლაქაში, ფრთათეთრა, ნიუკა და სხვ.). ყოველდღიურ ცხოვრებაში ტ-ს სიმინდის მდედრობით ყვავილედსაც უწოდებენ, მაგრამ იგი რთულ ყვავილედს განეკუთვნება.

ტარო (Colocasia esculenta), ტროპიკული მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ნიუკასებრთა ოჯახისა. ერთ-ერთი უძველესი კულტ. მცენარეა. მისი მსხვილი გორგლი, რ-ის მასა 4 *კგ* აღწევს, იჭმება. მოჰყავთ უმთავრესად აღმ. ნახევარსფეროს ტროპიკებისა და სუბტროპიკების ტენიან რ-ნებში. შესაძლებელია მისი კულტივირება კავკ. შავი ზღვის სანაპიროზე. ველურად გვხვდება ჰიმალაის, ბირმის, ახალი გვინეის, ფილიპინის კ-ების ტროპ. ტყეებში.



ტარო.

ტაროსანწი, ერთლებინიან მცენარეთა ოჯახების ჯგუფი, რ-თა უმეტესობისათვის დამახასიათებელია გამოსახული ტარო ყვავილედი.

ტარპანი (Eguus caballus gmelini), შინაური ცხენის ქვესახეობა (შესაძლოა, შინაური ცხენის ზოგიერთი ჯიშის წინაპარიც იყოს). ტანად პატარა იყო (სიმაღლე მინდაოში 116—136 *სმ*). ჰქონდა მკვრივი, ნაცრისფერი სხეული, შავი ფაფარი, ზურგის გასწვრივ კი — შავი ზოლი. წინათ ფართოდ იყო გავრცელებული სსრკ ევრ. ნაწილისა და ევრ. ზოგიერთი ქვეყნის ველებზე. უკრაინაში XIX ს. 70-იან წლებამდე შემორჩა, ძნელი მოსაშინაურებელი იყო. ამოწყდა, რადგან ბუნებრივ პირობებში მათი არსებობა შინაური ცხოველების ჯოგებმა შეზღუდეს, ნაწილობრივ ადამიანმაც გაანადგურა.

ტარპეას კლდე (Saxum Tarpeium), კაპიტოლიუმის ბორცვის დას. კლდის სახელწოდება ძვ. რომში. ამ კლდიდან ყრიდნენ სიკვდილმისჯილ სახელმწ. დამნაშავეებს. ლეგენდის მიხედვით, ტ. კ-ის სახელწ. წარმოდგება კაპიტოლიუმის ციხისთავის სპურიუს ტარპეიუსისაგან, რ-მაც საბინებთან ბრძოლის დროს კაპიტოლიუმი მათ გადასცა, მეფე რომულუსის ბრძანებით იგი კლდიდან გადააგდეს. ლეგენდის მეორე ვერსიით სპურიუს ტარპეიუსის ქალიშვილს — ტარპეას შეუყვარდა ერთ-ერთი საბინი და მტერი შეუშვა კაპიტოლიუმში.

ტარსაიძე გიორგი ალექსანდრეს ძე [8 (24). VII. 1857, სოფ. ბერშუეთი, გორის მაზრა, — 24. XII. 1904, თბილისი], ქართველი ექიმი, ოფთალმოლოგი. 1879 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. ერთხანს მუშაობდა რაჭაში, შემდეგ დაბრუნდა ხარკოვში, სადაც 6 წელიწადი იმუშავა ლ. გირშმანის ოფთალმოლოგიურ კლინიკაში. 1888-იდან, უკვე დახელოვნებულმა ოფთალმოლოგმა მუშაობა დაიწყო თბილ. „1864 წლის 4 აპრილის სახელობის სამკურნალოში“. 1892 ტ-ის თაოსნობით თბილისში გაიხსნა თვალის სნეულებათა უფასო საავადმყოფო, რ-ის დირექტორი თვითონ იყო გარდაცვალებამდე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართვ. მაზრებსა და რ-ნებში

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ე. წ. „თვალის მფრინავი რაზმები“. ტ. იყო კავკ. ექიმთა საზ-ბის წევრი. ტ-ის სახელობისაა თვალის სნეულებათა რესპ. საავადმყოფო.

თხზ.: Трахома по данным Тифлисской глазной лечебницы, 1/I 1893 г. по 1/I 1901 г., Труды 2-го съезда кавказских врачей, т. 1, Тфл., 1902.

ლიტ.: ბერაძე ნ., ჩიქოვანი ლ., გიორგი ტარსაიძე, თბ., 1957; შენგელია მ., ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1956. *მ. შენგელია.*

ტარსკი (Tarski) ალფრედ (დ. 14. I. 1902, ვარშავა), თანამედროვე პოლონელი ლოგიკოსი და მათემატიკოსი, *ლვოვ-ვარშავის სკოლის* წარმომადგენელი. სწავლობდა ვარშავის უნ-ტში. იყო ი. *ლუკასიევიჩისა* და ს. ლესნიევსკის მოწაფე. ვარშავის უნ-ტის დოცენტი (1926). 1939-იდან ცხოვრობს აშშ-ში. კალიფორნიის უნ-ტის პროფესორი (1946). საერთაშ. ლოგიკური ჟურნალის „The Journal of Symbolic Logic“ ერთ-ერთი რედაქტორი. დიდი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ლოგიკის თითქმის ყველა დარგის განვითარებაში. მისი სახელმძღვანელო „ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი“ თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მ. შ. ქართ. ენაზეც (1971).

თხზ.: Logics, semantics, metamathematics, Oxf., 1956; Der Wahrheitsbegriff in den formalisierten Sprachen, «Studia Philosophica», 1935, Bd. 1.

ლ. მჭედლიშვილი.

ტარსონი, სოფელი წალკის რ-ნში (ავრანლოს სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1800 *მ,* წალკიდან 37 *კმ.* გუმბათის მეკარტოფილეობა-მეთესლეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. სშ. სკოლა სოფ. გუმბათში (3 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი.

ტარტალია (Tartaglia) ნიკოლო (დაახლ. 1499, ბრეშა, — 13 ან 14. XII. 1557, ვენეცია), იტალიელი მათემატიკოსი. იკვლევდა მათ., მექან., ბალისტიკის, გეოდეზიის, ფორტიფიკაციისა და სხვა საკითხებს. თხზულებაში „ახალი მეცნიერება“ („Nova scientia...“, 1537) შეისწავლა ჭურვის ფრენის ტრაექტორიის საკითხები. მისი მეორე ნაშრომი „ზოგადი ტრაქტატი რიცხვისა და ზომის შესახებ“ შეიცავს მრავალრიცხოვან მასალას არითმ., ალგებრისა და გეომ. საკითხებზე. ტ-მ ჯ. *კარდანოსთან* ერთად შექმნა კუბური განტოლების ამოხსნის ხერხი.

„ტარტაროზი“, ქართული იუმორისტული ჟურნალი; გაზ. *„მუშის“* ორკვირეული (1927-იდან — ყოველკვირეული) უფასო დამატება. გამოდიოდა თბილისში 1924—30 *ჟურნ. „ნიანგის“* (1923—24) ნაცვლად. სულ გამოიცა 237 ნომერი. გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. 1931, *ჟურნ.* „ნიანგის“ განახლების შემდეგ, „ტ-ის“ გამოცემა შეწყდა.



ტარტუ. რატუშა (ახლა ქალაქის საბჭო). 1789. არქიტექტორი ი. პ. ბ. ვალტერი.

ტარტაროსი (ბერძნ. Tartaros — ქვეს კნელი, ქვესკნელის სამეფო), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ქვესკნელის უბნელესი ნაწილი, შავეთი. ჰესიოდეს მიხედვით, მესამე კოსმოგონიური პრინციპი (გეა-ეროსი-ტ.). უმძიმეს ცოდვილთა დასასჯელი: სამმაგი მწუხრით, პოსეიდონის ნაჭედი სპილენძის კედლითა და ცეცხლის მდინარით (პირიფლეგეთონტით) გარემოცული საიქიო. ჰომეროსთან ტ. იმდენადვეა დაშორებული დედამიწიდან, რამდენადაც ზეცა, და სიკვდილივით ბნელია; ტ. ჰადესის ქვეშაა სკნელია, სადაც ურანოსმა მიაჯაჭვა ციკლოპები და ასხელა გოლიათები (ჰეკატონქეირები), რ-ებიც შემდეგ გეას რჩევით ზევსმა ახსნა და მცველებად მიუჩინა ტ-ში ჩაყრილ ძლეულ ტიტანებს. ქრისტ. ტრადიციით — ჯოჯოხეთი; ეშმაკი (ტარტაროზი).

ა. გელოვანი.

ტარტუ, ქალაქი ესტ. სსრ-ში, მდ. ემაიგის ორივე ნაპირზე. ტარტუს რ-ნის ცენტრი. სამდ. ნავსადგური. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 109 ათ. მცხ. (1983). პირველი გამაგრებული პუნქტი ტ-ს ტერიტორიაზე შეიქმნა V ს-ში. 1030 სიმაგრე დაიკავა იაროსლავ ბრძენმა, გადააკეთა და იურიევი უწოდა. 1223—24 გერმ. რაინდებმა ჩაიგდეს ხელში და დერპტი უწოდეს. დერპტი საეპისკოპოსოს ცენტრი გახდა. XIII—XV სს-ში ტ. ჰანზის კავშირში შედიოდა და დიდ როლს ასრულებდა ნოვგოროდთან და ფსკოვთან სავაჭრო ურთიერთობაში. 1558 ტ. ივანე IV-მ დაიპყრო. 1582-იდან იამ-ზაპოლსკის ზავით პოლონეთს დაექვემდებარა. 1625-იდან განეკუთვნებოდა შვეციას. 1632 გაიხსნა უნ-ტი (იხ. *ტარტუს უნივერსიტეტი*). 1704 ტ. დაიკავეს რუს. ჯარებმა, ხოლო ნიშტადტის ზავით (1721) საბოლოოდ შეუერთდა რუს. იმპერიას. 1783-იდან ტ. ლიფლანდიის გუბ. ცენტრია. 1893 ქალაქს ისევ იურიევი ეწოდა. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 25 ოქტ. (7 ნოემბ.), 1918 წ. 24 თებ. დაიკავეს გერმ. ჯარებმა. იმავე წლის დეკ-ში გათავისუფლა წითელმა არმიამ. 1919 თებერვალ-ესტონელებმა დაიკავეს. 1919-იდან ქალაქს ეწოდა ტ. საბჭ. ხელისუფლება აღდგა 1940 წ. 21 ივლ. 1941 წ. 24 ივლ.-იდან 1944 წ. 25 აგვ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. ტ. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით (1980).

ტ. ესტ. სსრ მეორე (ტალინის შემდეგ) სამრეწვ. და კულტ ცენტრია. განვითარებულია კეების, მსუბუქი, მანქანათაშ., ლითონდასამუშ., საშენ მასალათა მრეწველობა. ძირითადი სამრეწვ. საწარმოებია: ხელსაწყოთასაშენი, სას.-სამ. მანქანების, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, რძისა და ხორცის კომბინატები, ტყავფეხსაცმლის, საფეიქრო, პოლიგრ. მრეწვ. საწარმოები.

მდ. ემაიგის მარჯვ. ნაპირზე, ტოომემიაგის ბორცვზე, მდებარეობს ქალაქის უძველესი და შუა საუკ. ნაწილი. მოგვიანებით განაშენიანდა მარცხ. ნაპირი. ტ-ს არქიტ. სახე ჩამოყალიბდა XIX—XX სს-ში. ბევრი შენობა კლასიცისტური სტილისაა. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან შემონახულია იაანის ეკლესია და პეტრე-პავლეს ტაძარი (ორივე — გოტიკა, XIII—XIV სს.). საბჭ. პერიოდში შემუშავდა გენ. გეგმა (დამტკიცდა 1948, არქიტ. ა. სოანსი, პ. ტარვასი, კორექტირება — 1973—75), განაშენიანდა ახ. საცხოვრ. კვარტალები, აშენდა საზ. შენობები: თეატრი „ვანემუინე“ (ახ. შენობა, 1967, არქიტ. პ. ტარვასი, ა. ვოლბერგი, უ. ტელპუსი). საავადმყოფო მაარიამიიზა (1970, არქიტ. მ. პანსმანი, კ. რუუბელი) და სხვ. ძეგლები: ვ. ი. ლენინის (1952, ა. ვომი, გ. პომერი, ფ. სანამეესი, ე. ტანილოო), კ. ბერის (ბრინჯაო, გრანიტი, 1886, ა. ოპეკუშინი), ნ. პიროგოვის (გრანიტი, ბრინჯაო, 1952), ფ. კრეიცვალდისა (გრანიტი, 1953, ე. ტანილოო, ი. პირვი) და სხვ.

ტ. უმაღლესი განათლების მსხვილი ცენტრია. არის ტარტუს უნ-ტი და ესტ. სას.-სამ. აკადემია, სამედ., პედ., სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებლები. 5 მუზეუმი (სამხატვრო, ლიტ., ეთნოგრ., ზოოლ., გეოლ.), მუს.-დრამ თეატრი „ვანემუინე“.

ტარტუს უნივერსიტეტი, სსრკ ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელი. მისი ისტორია იწყება 1632, როდესაც ტარტუში დაარსდა Academia Gustaviana (დროგამოშვებით მოქმედებდა 1710-მდე). 1802 ხელახლა გაიხსნა დერპტის უნ-ტის სახელწოდებით; 1893. ქალაქის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, იურიევის უნ-ტი ეწოდა, 1918-იდან ტ. უ. ჰქვია. 1828—39 უნ-ტთან გაიხსნა საპროფესორო ინ-ტი, რ-იც ამზადებდა პროფესორებს რუს. უმაღლესი სასწავლებლებისათვის. 1918 უნ-ტის ნაწილი ევაკუირებულ იქნა ვორონეჟში და მის ბაზაზე გაიხსნა *ვორონეჟის უნივერსიტეტი.* 1946 ტ. უ-ის ქვედანაყოფების ბაზაზე შეიქმნა ესტ. სსრ მეცნ. აკად. სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ნაწილი, 1951 — ესტ. სას.-სამ. აკადემია. ტ. უ-ში (დერპტის, იურიევის) ქართველებიც სწავლობდნენ.

ტ. უ-ის შემადგენლობაში (1975) იყო მათ., ფიზ.-ქიმ., ბიოლ.-გეოგრ., სამედ., ისტ., ფილოლ., ეკონ., იურიდ., ფიზკულტ. ფაკ-ტები, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების 2 ფაკ-ტი, დაუსწრებელი სწავლების განყ-ბა; ასპირანტურა, გამოთვლითი ცენტრი, 14 პრობლემური და დარგობრივი ლაბორ., ბოტან. ბაღი, 3 მუზეუმი; ბ-კა (3 მლნ-ზე მეტი ტ.). სწავლობდა 6,5 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 900 მასწავლებელი და მეცნ. მუშაკი, მ. შ. სსრკ მეცნ. აკად., ესტ. სსრ მეცნ. აკად. და სსრკ მედ. მეცნ. აკად. 10 აკადემიკოსი და წ.-კორ., 74 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 350-ზე მეტი მეცნ. კანდიდატი და დოცენტი. უნ-ტი გამოსცემს „სამეცნიერო წერილებს“ (1893-იდან) და რამდენიმე დარგობრივ კრებულს, მ. შ. „სკანდინავიურ კრებულს“ (1956-იდან), „საბჭოთა პედაგოგიკასა და სკოლას“ (1968-იდან). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა (1967) და ხალხთა მეგობრობის (1982) ორდენებით.

ტარუტინოს მანევრი 1812, რუსეთის არმიის მანევრი მოსკოვიდან სოფ. ტარუტინოსაკენ 5—21 სექტ. (17 სექტ. — 3 ოქტ.) 1812 სამამულო ომის დროს. ტ. მ-ის გეგმა ფელდმარშალმა მ. კუტუზოვმა შეიმუშავა მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ მოსკოვის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ტ. მ-ით რუს. არმია უნდა მოსწყვეტოდა მტრის ძალებს და დაეცვა რუს. მომარაგების ბაზები ტულასა და კალუგაში.

2 (14) სექტ. რუს. არმიამ მოსკოვი დატოვა, განაბორციელა ორი გადასვლა რიაზანის გზით, გადალახა მდ. მოსკოვი და მტრისათვის მოულოდნელად დასკენ მიბრუნდა. ეს მანევრი ფრანგებმა უცებ ვერ შეამჩნიეს. გენ. ნ. რაევსკის არიერგარდის კაზაკებმა დემონსტრაციული უკან დახევით თან გაიყოლიეს ი. მიურატის ცხენოსნები. ამ ხნის განმავლობაში რუს. არმია ძველი კალუგის გზით სამხრ.-დას.-კენ შებრუნდა და 21 სექტ. (3 ოქტ.) ტარუტინოს ბანაკში შეჩერდა. ამ მანევრით რუს. არმიამ თავიდან აიცილა მტრის დარტყმა და კონტრშეტევის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ტარუსა (მონღ. დ ა რ უ ღ ე), *მოურავი* XVI—XVIII სს. აღმ. საქართველოში. სახელწ. შემოვიდა ირანიდან, სადაც ტ. პოლიციის უფროსი იყო და გადასახადის აკრეფაშიც მონაწილეობდა (ამ თანამდებობაზე ქართველებიც იყვნენ, კერძოდ, ისპაანის ტ-ები *რდსტომ* დაუდ ხანის ძე,

ერეკლე I და მისი შვილი კონსტანტინე). საისტ. წყაროებში იხსენიება „ქალაქის“ (თბილისის), გორისა და „ალგეთის პირის“ ტ-ები, აგრეთვე თელავის ბაზრის ტარუღობა. ფარეშხანის ტ. დიდი მეჯლისის დროს სამეფო სუფრის გაშლაში მონაწილეობდა. ტ-ის სარგოს „სატარუღო“ ეწოდებოდა.

ლიტ.: სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წგნ. 1, ნაკვ. 1, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1961; სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; Месхия Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тб., 1959. *ი. ფუტკარაძე.*

ტარხუნა (Artemisia dracunculus), მრავალწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვს სწორმდგომი, გლუვი ღერო, რ-ის სიმაღლე 60—125 *სმ* აღწევს, ლანცეტა ფოთოლი, პატარა, თეთრი ყვავილები, შეკრებილი სფეროსებრ ყვავილედად. ყვავილობს ივლ.-აგვ-ში. სამშობლოა მონღოლეთი და სამხრ. ციმბირი. გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. საქართველოში ყველაზე უხვად მოჰყავთ თბილ. საგარეუბნო ზონაში. დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს. იყენებენ მწვანილად, კულინარიაში, ლიქიორის წარმოებაში, პარფიუმერიაში, საკონსერვო მრეწველობაში (კიტრისა და პამიდვრის დამჟავებისას). ამრავლებენ ვეგეტატიურად, ბუჩქის დაყოფით ან კალმებით. ჩითილი ირგვება ღია გრუნტში 25 *სმ* დაშორებით. ტ. ერთსა და იმავე ნაკვეთზე მოჰყავთ 10—15 წლის განმავლობაში. *თ. რობაქიძე.*

ტასის კულტურა, შუა ეგვიპტის ნეოლითური კულტურა (ძვ. წ. VI ათასწლ. დასაწყ. — V ათასწლ.). 1930-იან წლებში ინგლ. არქეოლოგმა გ. ბრანტონმა აღმოაჩინა სოფ. ტასის ახლოს. გამოვლენილია ნასახლარები და სამაროვნები. მეურნ. საფუძველი ყოფილა მიწათმოქმედება (ხორბალი, ქერი), ნაკლებ როლს ოამაშობდა მეცხოველეობა (თხა), ნადირობა და თევზჭერა. მიცვალებულს ახვევდნენ ტყავში და კრძალავდნენ ხელფეხმოკეცილს. ნაპოვნია კერამიკა, კაჟისა და ქვიშაქვის იარაღი, ალებასტრის, ძვლისა და ნიჟარის სამკაული. ტ. კ. შექმნეს ეგვ. უძველესმა მიწათმოქმედებმა.

ტასიტრონი, სამელექტროდიანი შესათბობკათოდიანი *იონური ხელსაწყო*. კონსტრუქციისა და დანიშნულების მიხედვით წყალბადიანი იმპულსური *ტირატრონის* ანალოგიურია. მისგან განსხვავდება მხოლოდ მმართველი ელექტროდის (ბადის) მოწყობილობით. ტ-ის ბადე წვრილსტრუქტურულია, რ-ის ნახვრეტების ზომა არ აღემატება აირში ელექტრონის თავისუფალი გარბენის სშ. სიგრძეს, რაც ტ-ში *რკალური განმუხტვის* ანთებისა და ჩაქრობის მომენტების მართვის საშუალებას იძლევა ანოდური ძაბვის შემცირების გარეშე. ტ-ს იყენებენ ასეული *კვტ* სიმძლავრის მაღალძაბვიანი (25 *კვ*-მდე) ელექტრული იმპულსების (იხ. *იმპულსი ელექტრული*) ფორმირებისათვის რადიოლოკაციური სადგურების *მოდულატორებში*, კვების წყაროებში იმპულსური ლაზერების დასატუმბავად და სხვ. ტ-ს აქვს მცირე შინაგანი წინაღობა და ანოდური ძაბვის გამოყენების მაღალი კოეფიციენტი (95—98%-მდე).

ტასლიცკი (Taslitzky) ბორის (დ. 30. IX. 1911, პარიზი), ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი. საფრ. კომპარტიის წევრი. 30-იან წლებში სწავლობდა პარიზში, ნატიფი ხელოვნ. სკოლაში, ჟ. ლიფშიცთან, აგრეთვე ჟ. ლიურსასთან. 1941—44 ბუხენვალდის პატიმარი. განიცადა ექსპრესიონიზმის გავლენა. ტ-ს შემოქმედება გამსჭვალულია რეალისტური ტენდენციებით, ჰუმანიზმით, სოც. სამართლიანობისათვის ბრძოლის პათოსით. ნამუშევრები: „დანიელ კაზანოვას სიკვდილი ბუხენვალდში“ (1950, მონტრეს მუზეუმი), საფრ. კომპარტიის მოღვაწეთა გრაფ. პორტრეტების სერია (1956), ალჟირისადმი მიძღვნილი სურათების სერია (1954—55, 1959—60).

ტასმანი (Tasman) აბელ იანსზონ (1603, ლუტიეგასტი, გრონინგენის პროვ., — 1659, X, ჯაკარტა), ჰოლანდიელი ზღვაოსანი. 1638—41 იყო სავაჭრო გემის უფროსი, იმოგზაურა აღმ. აზიის ზღვებში, სხვებთან ერთად აღმოაჩინა ბონინის კ-ები. 1642—43 მეთაურობდა I ექსპედიციას, რ-მაც აღმოაჩინა და რუკაზე აღნიშნა ვანდიმენის მიწის სამხრ. და აღმ. ნაპირები (1853 კუნძულს ეწოდა *ტასმანია*), ახალი ზელანდიის დას. ნაპირი, თრი-კინგ-ზისა და ტონგის კ-ები და სხვ. 1644 ჩატარა II ექსპედიცია, რ-მაც გამოიკვლია ავსტრალ. ჩრდ.-დას. ნაპირი. ტ-ის სახელი ეწოდება ზღვას ახალი ზელანდიის დას-ით, კუნძულს ავსტრალ. სამხრ.-აღმ. სანაპიროსთან, ყურეს და მყინვარს ახალი ზელანდიის სამხრეთ კ-ზე და სხვ.

ტასმანია (Tasmania), კუნძული ავსტრალიის სამხრ.-აღმ. სანაპიროსთან, კონტინენტისგან გამოყოფილია ბასის სრუტით. მიმდებარე კ-ებითურთ (კინგი, ფლინდერზი და სხვ.) ავსტრალ. კავშირის შტატია. ფართ. 68,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 397,1 ათ. კაცი (1973). მოსახლ. უმრავლესობა ინგლისელ-ავსტრალიელია, მცირე ნაწილი — დიდი ბრიტანეთიდან, ნიდერლანდიდან და ევრ. სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულები. აბორიგენი ტასმანიელები განადგურდნენ, შემორჩა მხოლოდ მეტისების პატარა ჯგუფი. ადმ. ც.— ქ. ჰოუბარტი.

კუნძული წარმოადგენს ავსტრალ. დიდი წყალგამყოფი ქედის სტრუქტურულ გაგრძელებას. ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილია. ბევრია ყურე. რელიეფის უმეტესი ნაწილი უჭირავს განცალკევებულ ციცაბოკალთებიან პლატოებსა და მთიანეთებს, სიმაღლე 600—1000 *მ* აღმ. მთიანეთი ცენტრ. პლატოსაგან (მთა ოსა, 1617 *მ*, ტ-ის უმაღლესი მწვერვალი), გამოყოფილია მიდლენდის დაბლობით. ტ-ზე არის პოლიმეტალების, რკინის მადნის, კალის, სპილენძის, ოქროსა და სხვა საბადოები. ჰავა ჩრდ. ნაწილში სუბტროპიკულია, სამხრ.-ში — ზომიერი, ნოტიო. ნალექები 600—1000 *მმ* წელიწადში. მდები წყალუხვია და ჭორომიანი. ცენტრ. პლატოზე ბევრია მყინვარული წარმოშობის ტბა. განვითარებულია ტყის მურა, მთა-მდელოსა და გაეწრებული ნიადაგები, აგრეთვე ყვითელი და წითელი მიწები. ტ. შემოსილია ევკალიპტისა და წიწვიანი ტყეებით, მაღალი მთის მდელოთი. ცხოველთა სამყარო ავსტრალ. ცხოველთა სამყაროს მსგავსია (იხ. *ავსტრალიის ოლქი*).

ტ-ის მეურნ. მთავარი დარგია მრეწველობა. განვითარდა ენერგოტევადი დარგები. იღებენ სპილენძის, რკინის, თუთიის, ტყვიის, კალის მადანს, აგრეთვე ოქროს, ვერცხლს, ქვანახშირს, განვითარებულია ფერადი მეტალურგია, ცელულოზა-ქაღალდის, საფეიქრო და კვების მრეწველობა. არის ცემენტის, ბურთულასაკისრების ქ-ნები, ხე-ტყის სახერხი და ხის დასამუშ. საწარმოები. სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მეცხოველეობა. აშენებენ ცხვარს, მსხვ. რქ. საქონელს, ღორს. ამზადებენ მატყლს (დაახლ. 18 ათ. *ტ* წელიწადში). მუშავდება ტერიტ. დაახლ. 2%. მიწათმოქმედებაში ჭარბობს საკვები კულტურებისა და ბოსტნეულის ნათესები; მეხილეობა (უმთავრესად ვაშლის ბაღები). მარცვლეული კულტურებიდან უმთავრესად მოჰყავთ ხორბალი. მთავარი ნავსადგურია ჰოუბარტი, კონტინენტს უკავშირდება საჰაერო და სახმელე. გზებით.

ტ. აღმოაჩინა ა. *ტასმანმა* 1642 წ. 1788 კუნძული ვან-დიმენის მიწის სახელწოდებით ინგლ. სამფლობელოდ გამოცხადდა და შეერთა ახალი სამხრეთი უელსის კოლონიის შემადგენლობაში. 1825 ვან-დიმენის მიწა ცალკე კოლონია გახდა (ტ. ეწოდება 1853-იდან). 1855 ტ-მ თვითმმართველობა მიიღო. XIX ს. II ნახევარში სწრაფად ვითარდებოდა ოქროს მოპოვება, რკინიგზების მშენებლობა, გემთმშენებლობა. 80-იან წლებში შეიქმნა პირველი ტრედუნიონები. ავსტრალიის კავშირის შექმნის შემდეგ, 1901, ტ. შევიდა მის შემადგენლობაში როგორც შტატი.

ტასმანიელები, კ. ტასმანიის აბორიგენი მოსახლეობა. XIX ს. დასაწყისისათვის მათი რაოდენობა რამდენიმე ათას კაცს შეადგენდა. 1803—76 გაანადგურეს ინგლ. კოლონიზატორებმა. მეურნ., ტექ., კულტ. განვითარების დონით XIX ს-ში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ეთნ. ჯგუფი იყო მსოფლიოში. მათი ენა, დიალექტები (იხ. *ტასმანიური ენები*), საზ. წყობილება თითქმის შეუსწავლელი დარჩა, გადაუჭრელია მათი წარმოშობის საკითხიც. ტ-ის რწმენის შესახებ ცნობებს მეცნიერები სხვადასხვანაირად აფასებენ.

ტასმანის ზღვა (Tasman Sea), წყნარი ოკეანის განაპირა ზღვა ავსტრალიის აღმ. სანაპიროს, კ. ტასმანიას (დას.), ახალი ზელანდიის, ნორფოკისა და ახალი კალედონიის კ-ებს (აღმ.) შორის. ინდ. ოკეანეს უკავშირდება ბასის სრუტით. სიღრმე 5466 *მ*-მდე. წყლის ტემპ-რა ზედაპირზე ზამთარში (აგვ.) 22°C-იდან (ჩრდ.) 9°C-მდე (სამხრ.). ზაფხულში (თებ.), შესაბამისად, 25-იდან 15°C-მდე. მარილიანობა 35—35,5‰. დიდი ნავსადგურებია: სიდნეი (სიდნი), ბრიზბენი, ნიუკასლი (ავსტრალია), ოკლენდი, ნიუპლიმუთი (ახალი ზელანდია). სახელი ეწოდა ა. *ტასმანის* პატივსაცემად.

ტასმანის ყურე (Tasman Bay), ყურე ტასმანის ზღვაში, ახალი ზელანდიის სამხრეთი კ-ის ჩრდ. ნაპირთან. სიგრძე 80 *კმ*, სიგანე შესასვლელთან დაახლ. 75 *კმ*, სიღრმე 47 *მ*-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე დაახლ. 4 *მ*. ტ. *მ*-ში არის ნავსადგური ნელსონი. სახელი ეწოდა ა. *ტასმანის* პატივსაცემად.

ტასმანიური ენები, ტასმანიის მკვიდრთა ახლომონათესავე ენები. ამერ. ლინგვისტის ჯ. გრინბერგის აზრით, პიპოთეზურ ინდურ-წყნაროკეანურ ენათა მაკროოჯახს განეკუთვნება. არსებობდა XIX ს. დასასრულამდე. მათთვის დამახასიათებელი იყო მყღერი და ჭრუ ბგერების გაურჩევლობა, სიბილანტების უქონლობა, მრავალრიცხოვანი ხმოვნები; იყო აგლუტინაციური, სუფიქსებიანი ენები, იყენებდა სიტყვათრიგსაც. ზმნას არ ჰქონდა პირის, დროის, რიცხვის კატეგორიები და სხვ.

ტასო (Tasso) ტორკვატო (11. III. 1544, სორენტო, — 25. IV. 1595, რომი), იტალიელი პოეტი. აღორძინების ეპოქის უკანასკნელი მოღვაწე და მანიერიზმის უდიდესი წარმომადგენელი იტალიაში. სწავლობდა პადუასა და ბოლონიის უნივერსიტეტებში, იყო ფერარის ჰერცოგის კარის პოეტი. კონტრრეფორმაციის გავლენით მისი ფილოს. სკეპტიციზმი ავადმყოფურ რელიგიურობაში გადაიზარდა, რაც მალე დევნის მანიით დასრულდა. რამდენიმე წელი გაატარა სულით ავადმყოფთა ჰოსპიტალში. მის შემოქმედებაში ერთდროულად არსებობდა უკვე შესუსტებული რენესანსული სტილის ესთეტ. პრინციპები და ახ., კლასიციზმისა და ბაროკოს სტილის მკვეთრი ნიშნები — ნატურალისტურობა და პიპერბოლიზმი, დახვეწილი შედარებები და მეტაფორები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია პასტორალური დრამა „ამინტა“ (1573, გამოქვეყნდა 1580), რ-იც ფორმის მხრივ კლასიციზმურ ტრაგედიას ენათესავება, ამავე დროს



ტარხუნა.



ბ. ტასლიცკი. „სოფლის მეურნეობის მუშები. ალჟირი“. ნახატი. 1952.



ტ. ტასო.



ე. ტატაბაშვილი.

მასში ძლიერადაა გამოხატული აღორძინების ეპოქისათვის დამახასიათებელი სამყაროს პანთეისტური აღქმა; კლასიციზმისა და ბაროკოს ნიშნებს შეიცავს ტრაგედიაც „მეფე ტორისმონდო“ (გამოქვეყნდა 1587). ცალკე უნდა აღინიშნოს დაუსრულებელი ეპიკური პოემა „იერუსალიმი“ (1559–61), პოემა „რინალდო“ (1562) და ისტ. პოემა „გოფრედო“ (1574–75, არასრულად გამოქვეყნდა 1579, სრულად – 1580 სათაურით „განთავისუფლებული იერუსალიმი“); ამ ისტ. პოემის მეორე რედაქციაში („დაპყრობილი იერუსალიმი“, 1593) თვალსაჩინოა კომპოზიციის კლასიცისტური პრინციპებისა და ბაროკოსათვის დამახასიათებელი კონტრასტის გამოყენება; მასში ერთმანეთს უპირისპირდება ჰუმანიზმისა და ინდივიდუალიზმის პრინციპები და კონტრრეფორმაციის მორალი. წმინდა რელიგ. ხასიათისაა ტ-ს ეპიკური პოემა „სამყაროს შექმნის შვიდი დღე“ (1594, გამოქვეყნდა 1607). საყურადღებოა მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა, 28 ფილოს. დიალოგი, რ-იც შეიცავს შრომებს პოეზიის თეორიაზე („მსჯელობანი პოეტურ ბელოვნებაზე“, 1565–66; გამოქვეყნდა 1587; გადამუშავებული სახით „მსჯელობანი ჰეროიკულ პოემაზე“, გამოქვეყნდა 1594).

ტ-ს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა დას. ევრ. ლიტ-რის განვითარებაზე. მისი ლირიკა და ეპოსი საფუძვლად დაედო არაერთი კომპოზიტორის ნაწარმოებს. მწერლის სახე უკვდავყვეს ი. ვ. გოეთემ, ჯ. ბაირონმა, ე. დელაკრუამ და სხვ.

ტასოითა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (ხვწის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1220 *მ*, ჯავიდან 7 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 *კმ*. ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ქვემო ხვწეში (3 *კმ*).



ი. ტატიშვილი.

ტასონი (Tassoni) ალესანდრო (28. IX. 1565, მოდენა, – 25. IV. 1635, იქვე), იტალიელი მწერალი. მისი ლიტ.-ესთეტ. შეხედულებები ჩამოყალიბებულია „მსჯელობებში პეტრარკას ლექსების თაობაზე“ (1609) და ენციკლოპედიური თხზულების „სხვადასხვა ფიქრის“ (1608–20) ორ ბოლო წიგნში. ტ-ს შემოქმედებაში ცენტრ. ადგილი უკავია **სატირულ პოემას „მოტაცებული სათლი“ (1614–15, გამოქვეყნდა 1622), რ-იც მიჩნეულია ბურლესკურ-ირონიკომიკური ჟანრის ნიმუშად.** მასვე ეკუთვნის არაერთი ლიტ.-კრიტ. სახის შრომა.

ტატაბანია (Tatabánya), ქალაქი უნგრეთში, ბუდაპეშტის ქას-ით. კომარომის მედიეს ადმ. ცენტრი. 77 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო კვანძი. ტატაბანიის მურა ნახშირის აუზის ცენტრი. ალუმინის გამოდნობა. სამთო მანქანების, საშენ მასალათა წარმოება, ქიმ. მრეწველობა. 2 თეატრი.

ტატანაშვილი ესტატე ზაქარიას ძე [20. VIII (2. IX). 1902, სოფ. ახალქალაქი, კასპის რ-ნი, – 30. IX. 1958, თბილისი], ავიაციის გენერალ-მაიორი (1944). სკკპ წევრი 1927-იდან. 1931 დაამთავრა ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939–40). დიდი სამამულო ომის წლებში (1941–45) მეთაურობდა საავიაციო ესკადრილიას, პოლკს, დივიზიას. არაერთხელ ისახელა თავი საჰაერო ბრძოლებში. ტ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 4 წითელი დროშის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით. *ტ. ჩანჩილაკაშვილი.*

ტატანი, იხ. *მეტეორები.*

ტატანისი, სოფელი ახალციხის რ-ნში (სვირის სოფსაბჭო), ახალციხის ქვაბულში. ზ. დ. 1300 *მ*, ახალციხიდან 10 *კმ*. სვირის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. სვირში (3 *კმ*). ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი).



ც. ტატიშვილი.

ტატარსკი, ქალაქი (1925-იდან), რსფსრ ნოვოსიბირსკის ოლქში. ტატარსკის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო კვანძი. არის რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები, მექან., სავაჭრო მოწყობილობის, საშენ მასალათა ქ-ნები, სამკერვალო, თექის ფეხსაცმლის ფ-კები, ხორც-, ფრინველკომბინატი, ღვინის ქ-ნა და ელევატორი.

ტატიშვილი გიორგი ივანეს ძე (17. X. 1921, თბილისი, – 25. VI. 1984, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1979). სკკპ წევრი 1945-იდან. 1947 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1945-იდან იყო კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი. თამაშობდა სხვადასხვა სტილისა და ხასიათის როლებს: მოურავი („კაცია ადამიანი?!“, ი. ჭავჭავაძის მიხედვით), სანდრო (მ. ბარათაშვილის „მარინე“), გელა („მოძღვარი“ ა. ყაზბეგის მიხედვით), მირონ ალავიძე („თვალი პატიოსანი“, გ. ფანჯიკიძის მიხედვით), რასპუტინი („კვაჭი კვაჭანტირაძე“, მ. ჯავახიშვილის მიხედვით), მანასე (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვ. კინოში იღებენ 1948-იდან. გადაღებულია ფილმებში: „ქეთო და კოტე“ (ყარაჩოხელი, 1948), „ბერლინის დაცემა“ (ქანთარია, 1949), „ცისკარა“ (ვეზირი, 1955), „კარდაკარ“ (აზნაური, 1960), „შავარდნის კვალი“ (კაპიტანი რონალდი, კინოსტუდია „დეფა“, გდრ, 1969) და სხვ. *შ. ცუცქირიძე.*

ტატიშვილი გრიგოლ პავლეს ძე [1848, გორი, – 29. VI (12. VII), 1911, თბილისი], პირველი ქართველი გრავიორ-ქსილოგრაფი, ახ. გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი. თვითნასწავლი მხატვარი. 1862-იდან ცხოვრობდა თბილისში; ქსილოგრაფიისა და ხეზე მხატვრული კვეთის ინტერესი გაუღვივა ქართვ. ოქრომჭედლებთან და თეატრის იტალ. მხატვრებთან ურთიერთობამ. ტ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მდიდარი ფანტაზია, სისადავე, კომპოზ. მთლიანობა. მან ქსილოგრაფიის ხელოვნება საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა. თავდაპირველად საცირკო აფიშებისათვის კლიშეებს ამზადებდა (1868). 1871 გრაფიკულად გააფორმა საყმაწვილო ჟურნალ „კრებულის“ გარეკანი (წარწერა), 1875–76 – „ყარამანიანი“, რ-იც ტ-ის შემოქმედებაში საეტაპო ნაწარმოებად ითვლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტ-ის მიერ გაფორმებული შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსანი (1887). მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: ი. გოგებაშვილის „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“ (1878), „ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი“ (1911), „ქართული ანბანის თაიგული“ (1885), და სხვ.

ლიტ.: ურუშაძე მ., პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1958.

ტატიშვილი ირაკლი (ერეკლე) დიმიტრის ძე (28. VIII. 1884, გორი, – 1. II. 1946, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, დასავლური ენებისა და ლიტ-რის სწავლების ერთ-ერთი პიონერი საქართველოში. 1905–07 თანამშრომლობდა ანარქისტულ გაზეთებში „მუშა“ და „ხმა“. ორჯერ დააპატიმრეს გორსა და პეტერბურგში. 1904–13 სწავლობდა პეტერბ., გერმ., საფრ., ინგლ. უმაღლეს სასწავლებლებში. 1914–18 სტამბოლში ასწავლიდა ფრანგ. ენას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1918-იდან, ფრანგ. და გერმ. ენებს ასწავლიდა გორსა და თბილისში. 1923–27 თბილ. უნ-ტში საერთაშ. სავჭარო და საერთაშ. კერძო სამართლის, ხოლო 1927-იდან – ინგლ. ენისა და ლიტ-რის კურსს კითხულობდა. 1935–46 იყო ჯერ უცხო ენათა კომისიის თავ-რე, შემდეგ – უცხო ენათა კათედრის გამგე. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის დაარსებიდან (1945) კითხულობდა აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტ კურსს. ტ-ს ეკუთვნის ესეები („კრიშნა“, „ექსტასისი“, „ფრიდრიხ ნიცშე“, „საკია-მუნი“), თარგმანები [ფ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (დადგა მარჯანიშვილის სახ. თეატრში, 1935), ე პოს „სიჩუმე“, რ-იც ქართ. მთარგმნელობითი ლიტ-რის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია] და სხვ.

ლიტ.: კაკაბაძე ნ. პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971; ჭელიძე ვ., წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1971. *ნ. ყიასაშვილი.*

ტატიშვილი ირაკლი იაკობის ძე [14 (27). II. 1902, დაბა ბაკურიანი, ბორჯომის რ-ნი, – 4. XII. 1980, თბილისი], ქართველი საბჭ. პათოლოგანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფესორი (1942), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1960), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960). 1927 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1937–48 განაგებდა თბილ. სტომატოლოგიური ინ-ტის პათოლ.-ანატ. კათედრას, 1948–59 – საქ. სსრ მეცნ. აკად კლინიკური და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტის პათოლ. მორფოლ. განყ-ბას. 1942–80 იყო თბილ. სამედ. ინ-ტის პათოლ. ანატ. კათედრის პროფესორი, 1953–58 – ამავე ინ-ტის პრორექტორი სამეცნ., ხოლო 1959–61 – სასწ. ნაწილში. საქ. სსრ მეცნ. აკად. სამედ. მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი (1961–63); საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგანატომი (1948–79), საქართვ. პათოლოგანატომთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1972–80), ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი (1966–80) და მედ. რედაქციის სამეცნ. საბჭოს თავ-რე (1974–80); თბილ. სამედ. ინ-ტის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავ-რე (1976–80).

ტ. შეისწავლიდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მორფოლ. საფუძვლებს, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებისა და აქტინომიკოზის პათოლ. საკითხებს, ფუნდამენტური შრომები აქვს საქართვ. მედიც. ისტ. და სხვა საკითხებზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით; შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ადამიანის აქტინომიკოზი, თბ., 1955 (თანაავტ.: ვ. ჟღენტი); ზოგიერთი მასალა თირკმელზედა ჯირკვლების პათოლოგიური შესწავლისათვის, თბ., 1941; მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბ., 1971 (თანაავტ.); მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960 (თანაავტ.: თ. დეკანოსიძე).

ვ. აბაშიძე.

ტატიშვილი ცისანა ბეჟანის ასული (დ. 30. XII. 1937, თბილისი), ქართველი საბჭ. მომღერალი (ლირ.-დრამ. სოპრანო), სსრკ სახ. არტისტი (1979). 1963 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (გ. ქართველიშვილის კლასი). ამავე წლიდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ტ-ს აქვს სრული დიაპაზონის, ულამაზესი ტემბრის, მოქნილი, ტექნიკურად სრულყოფილი, ქველა რეგისტრში თანაბრად მყღერი ხმა. შესრულება გამოირჩევა მუსიკალობითა და ექსპრესიით, პარტიები: ეთერი, მარო (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ნესტანი (მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), თამარი (თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), ლიზა (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), ლეონორა, აიდა, დეზდემონა (ვერდის „ტრუბადური“, „აიდა“, „ოტელო“), ტოსკა (პუჩინის „ტოსკა“), სენტა, ორტრუდა (ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ლოენგრინი“), სალომე (რ. შტრაუსის „სალომე“), დონა ანა (მოცარტის „დონ ჟუანი“), სანტუცა (მასკანის „სოფლის პატიოსნება“) და სხვ. გამოდის სსრკ დიდი თეატრის სცენაზე. ტ.

საკონცერტო მომღერალიცაა. გასტროლებს მართავს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1969 ბერლინის „კომიშე ოპერაში" „აიდას" პრემიერაზე შეასრულა აიდას პარტია გერმ. ენაზე. ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975). *ნ. სვანიშვილი.*

ტატიშჩევი ვასილი ნიკიტას ძე [19 (29). IV. 1686, ფსკოვის ახლოს, — 15 (26). VII. 1750, სოფ. ბოლდინო, ახლანდ. სოლნეჩნოგორსკის რ-ნი, მოსკ. ოლქი], რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი. დაამთავრა მოსკ. საინჟინრო და საარტ. სასწავლებელი. მონაწილეობდა *ჩრდილოეთის ომში* (1700—21), ასრულებდა პეტრე I-ის სხვადასხვა სამხ.-დიპლ. დავალებას. 1720—22 და 1734—37 განაგებდა რუს. სახაზინო ქ-ნებს, საფუძველი ჩაუყარა ეკატერინბურგს (ახლანდ. სვერდლოვსკი); 1741—45 ასტრახანის გუბერნატორი იყო. 1730 აქტიურად გამოვიდა უზენაესელთა (იხ. *უზენაესი საიდუმლო საბჭო*) წინააღმდეგ. პირველმა შემოიტანა სამეცნ. სფეროში *„რუსსკაია პრავედის"* და 1550 სამართლის წიგნის ტექსტები, საფუძველი ჩაუყარა ეთნოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას. შექმნა განმაზოგადებელი ნაშრომი „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან" (წგნ. 1—5, 1768—1848) და პირველი რუს. ენციკლოპედიური ლექსიკონი. რუს. ისტორიოგრაფიაში პირველი შეეცადა ეპოქა ადამიანთა საზ-ბის განვითარების კანონზომიერებანი, აეხსნა სახელმწ. ხელისუფლების წარმოშობის მიზეზები. უარყო *პროვიდენციალიზმი* და ისტ. მოვლენების ახსნისას *რაციონალიზმის* პოზიციებზე დადგა. სახელმწ. წყობილების ფორმებიდან რუს. მმართველობისათვის უპირატესობას ანიჭებდა თვითმპყრობელობას. ტ-მა პირველმა მოგვცა რუს. ისტ. პერიოდიზაციის სქემა: ერთმმართველობის ბატონობა (862—1132), ერთმმართველობის დარღვევა (1132—1462), ერთმმართველობის აღდგენა (1462).

თხზ.: Избр. труды по географии России, М., 1950; История Российская, т. 1—7, М.—Л., 1962—68.

ლიტ.: Дейч Г. М., В. Н. Татищев, Свердловск, 1962; Очерки истории исторической науки в СССР, т. 1, М., 1955; Пештич С. Л., Русская историография XVIII в., т. 1—2, Л., 1961—65.

ტატიშჩევის ელჩობა კახეთსა და ქართლში 1604—05, რუსეთის სახელმწიფოს ელჩობა კახეთისა და ქართლის სამეფოებში. მეთაურობდა თავადი მიხეილ იგნატის ძე ტატიშჩევი, ელჩობაში შედიოდა დიაკი ანდრეი ივანოვი. ელჩებს კახეთის მეფე ალექსანდრესათვის უნდა ეცნობებინათ, რომ, მისი თხოვნის თანახმად, რუსეთი ემზადებოდა საშამხლოზე გასალაშქრებლად და ამ ლაშქრობაში ალექსანდრეს თავისი ჯარით უნდა მიეღო მონაწილეობა. ელჩებს აგრეთვე დავალებული ჰქონდათ შეეერჩიათ ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის საცოლე, ასულისათვის — საქმრო. ტ. ე. მოსკოვიდან გაემგზავრა 1604 მაისში და თერგის გზით 12 აგვ. კახეთში ჩავიდა. 19 აგვ. ელჩებმა მოლაპარაკება დაიწყეს გიორგი ბატონიშვილთან, ვინაიდან მეფე ალექსანდრე II ამ დროს ირანში შაპაბას I-თან იმყოფებოდა. მოლაპარაკება გაჭიანურდა, რადგან გიორგი ბატონიშვილს სურდა ირან.-ოსმ. მომავალი ომის შედეგები გაეთვალისწინებინა. 1600 წ. 1 იანვ. გიორგი იძულებული გახდა ელჩების მოთხოვნით რუს. მეფის ერთგულების ფიცი მიეღო. კახეთის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შემდეგ (კონსტანტინეს მიერ ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მოკვლა) ელჩები ქართლში გიორგი X-თან გადავიდნენ. მეფემ ისინი 28 აპრ. მიიღო, მაგრამ მოლაპარაკებას არც აქ მოჰყოლია წარმატება. 11 მაისს ტ. ე. ქართლიდან გაემგზავრა და თერგის გზით 12 ნოემბ. მოსკოვს დაბრუნდა.

ელჩების ჩანაწერები მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ კავკასიისა და, კერძოდ, აღმ. საქართველოს ისტორიისათვის.

წყარო: Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, в. 1. 1578—1613 гг., М., 1889; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, წგნ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

ტატლინი ვლადიმერ ევგრაფის ძე [16 (28). XII. 1885, მოსკოვი, — 31. V. 1953, იქვე], საბჭ. ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარ-კონსტრუქტორი, თეატრის მხატვარი. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1902—03 და 1909—10) ვ. სეროვთან და კ. კოროვინთან, აგრეთვე პენზის სამხატვრო სასწავლებელში (1904—09). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სსრკ სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში. თავდაპირველად ახლოს იყო *კუბიზმთან* და *ფუტურიზმთან* („მწვანტყრე ქალი", 1913, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). 1920-იანი წლებიდან დააპროექტა საყოფაცხოვრებო ნივთები მასობრივი წარმოებისათვის (*სამრეწველო ხელოვნების* მოძრაობის მონაწილე). *მხატვრული კონსტრუირების* ერთ-ერთი ფუძემდებელი სსრკ-ში (ავეჯის, კერამიკის, ტანსაცმლის პროექტები). გააფორმა 80-ზე მეტი თეატრალური დადგმა.

ტატრები, მაღალი ტატრები (პოლ. Tatry Wysokie, ჩეხ. Vysoké Tatry) და დაბალი ტატრები (ჩეხ. Nizke Tatry), მთის მასივები კარპატებში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. მაღალი ტ-ის სიგრძე 65 *კმ*, სიმაღლე 2655 *მ*-მდე (მთა გერლახოვსკი-შტიტი), დაბალი ტ-ისა — შესაბამისად დაახლ. 100 *კმ*. და 2043 *მ*-მდე (მთა დიუმბიერი). უმთავრესად აგებულია გრანიტებით, გრანოდიორიტებითა და კირქვებით. რელიეფი ალპური. არის ძვ. გამყინვარების ნიშნები, კარსტული მღვიმეები. კალთები 1500 *მ*-მდე შემოსილია ნაძვნარით, შერეულია ფიჭვი, სოჭი, წიფელი. 1900 *მ*-მდე ტანბრეცილი ტყის სარტყელია, 2250 *მ*-მდე — სუბალპ. და ალპ. მდელოები. ტ-ში არის მთის კლიმ. კურორტები. განვითარებულია ალპინიზმი, ტურიზმი, სამთო-სათხილამურო სპორტი. მაღალი ტ-ის თხემზე გადის სამთო-საბაგირო გზა. ჩრდ. კალთის ძირში არის *პორონინი* (ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი).

ტატუირება (ფრანგ. tatouer<ინგლ. tattoo; პირველწყარო—პოლინეზ.), სხეულზე გამოსახულებების გამოყვანა კანქვეშ ნემსით, საღებავის შეყვანის საშუალებით. გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხში ქვის ხანიდან, რასაც მოწმობს აღმოჩენილი რქის, ძვლის და ქვის სპეც. იარაღები. ტ-ის ჩვეულება განვითარდა სხეულის შეღებვის წესიდან და მასთან ერთად არსებობდა. პირველყოფილ ხალხებში ტ. შეიცავს რელიგ და მითოლ. წარმოდგენების ანარეკლს, განსაზღვრავს პიროვნების სოც სტატუსს თავის სოც. ჯგუფში, ასევე დაკავშირებულია ტოტემისტურ წარმოდგენებთან, ფართოდ იყენებენ *ინიციაციის* ცერემონიის დროს. მისი მრავალფეროვანი სახეობა (ფერადი ტატუირება, სხვადასხვა ფიგურის გამოყვანა სახესა და სხეულის სხვა ნაწილებზე, სახსრების დასახიჩრება, კბილების ჩამტვრევა და ა. შ.) დიდი პატივით სარგებლობდა დედამიწის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ჩამორჩენილ ხალხებს შორის.

განსაკუთრებულ მაღალ ესთეტურ დონეს მიაღწია ამ ჩვეულებამ სამხრ. აღმ. აზიის მაღალკულტ. ხალხებში. მაგ., იაპონიაში ტ-ის ხელოვნება თითქმის გაუსწორდა იაპ. ფერწერას.

შედარებით გვიან რომსა და შუა საუკ. ევროპაში ტ-ს იყენებენ სამხ. ტყვეებისა და სხვადასხვა სახის დამწაშავეთათვის ნიშნის დასადებად. ტ-ის მოსაცილებლად იყენებენ ქირურგ. მეთოდს და ლაზერის სხივს. ზოგი კულტ. გადმონაშთი მიუთითებს, რომ ტ. შესაძლოა საქართველოშიც იყო გავრცელებული, მაგრამ აქ ამ წესს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუღია.



ც. ტატიშვილი სალომეს როლში (რ. შტრაუსის ოპერა „სალომე").

ტატუმი, ტეიტემი, ტეტამი (Tatum) ედუარდ (დ. 14. XII. 1909, ბოულდერი, კოლორადოს შტ., აშშ), ამერიკელი ბიოქიმიკოსი და გენეტიკოსი. აშშ ეროვნ. მეცნ. აკად. წევრი (1952). დაამთავრა უისკონსინის უნ-ტი (1931). ბიოქიმ. დოქტორი (1934). მუშაობდა სტენფორდისა (1937—45, 1948—56) და იელის (1945—48) უნ-ტებში (1946-იდან პროფესორი). 1957-იდან როკფელერის სამედ. გამოკვლევების ინ-ტშია. 1941 აღმოაჩინა (ჯ. *ბიდლთან* ერთად), რომ ობის სოკოს — ნეიროსპორის (Neurospora crassa) გენური *მუტაცია* იწვევს ზრდისათვის აუცილებელი რომელიმე ამინომჟავას, ვიტამინის ან ზრდის სხვა ფაქტორის სინთეზის უნარის დაკარგვას (აუქსოტროფული მუტანტი), ხოლო 1945 ეს თვისება მან ბაქტერიებშიც დაადასტურა. 1947 ტ-მა ჯ. *ლედერბერგთან* ერთად ბაქტერიებში აღმოაჩინა გენეტ. რეკომბინაციის მოვლენა. ჯ. ბიდლთან ერთად წამოაყენა კონცეფცია: „ერთი გენი — ერთი ფერმენტი", რ-იც საფუძვლად დაედო ბიოქიმ. გენეტიკას. ფერმენტების სინთეზის გენეტ. ფაქტორებზე დამოკიდებულების საკითხის შესწავლისათვის ტ-ს ჯ. ბიდლთან და ჯ. ლედერბერგთან ერთად 1958 ნობელის პრემია მიენიჭა.



ჩ. ტაუნზი.

ტაუერი, ტოუერი (ინგლ. tower — კოშკი), ციხესიმაგრე ლონდონში, მდ. ტემზის ნაპირას. მისი უძველესი ნაწილი რომანული „თეთრი კოშკი" ააგეს დაახლ. 1078—85 *უილიამ I დამპყრობლის* (მეფობდა 1066—87) დროს. XVII ს-მდე ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია იყო. 1820-მდე ოფიციალურად აქვე იყო ინგლ. მთავარი სახელმწ. საპყრობილე. ტ-ში მოკლეს და სიკვდილით დასაჯეს ინგლ. სახელმწ მოღვაწეები. ჰ. შ. მეფეები ჰენრი VI, შესაძლოა — ედუარდ V და მისი ძმა რიჩარდი, ჰენრი VIII-ის ცოლები ენ ბოლეინი და კეტ პაუარდი, ჰუმანისტი ტ. მორი. 1820-იდან ტ. არსენალ-მუზეუმია.

ტაუნზი (Townes) ჩარლზ (დ. 28. VII. 1915, გრინვილი, სამხრ. კაროლინა), ამერიკელი ფიზიკოსი. 1931—37 სწავლობდა გრინვილში, 1937—39 — კალიფორნიის ტექნოლ. ინ-ტში. 1939—48 მუშაობდა ფირმა „ბელ ტელეფონში", 1948-იდან — კოლუმბიის უნ-ტში (1950-იდან პროფესორი). 1961—66 მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტის პროფესორი. 1967-იდან კალიფორნიის უნ-ტში (ბერკლი) ხელმძღვანელობს ფიზ. განყ-ბას. ამერ. ფიზ. საზ-ბის პრეზიდენტი (1967-იდან). ტ-ის უმთავრესი შრომები ეხება *კვანტურ ელექტრონიკას* ნობელის პრემია (1964).



ლ. ტაუსონი.

ტაურაბე, ქალაქი ლიტვ. სსრ-ში, მდ. იურის (ნიამუნასის აუზი) ნაპირზე. ტაურაგეს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური შიაულიაი—სოვეტსკის ხაზზე. არის გამოთვლითი მანქანების ელემენტების, კერამ. ქ-ნები, ხილ-ბოსტნეულისა და ხორცკომბინატები, ყველ-კარაქის ქ-ნა, ტყის მრეწვ. მეურნეობა. პოლიტექნიკუმი. სახ. თეატრი.

ტაუსონი ლევ ვლადიმერის ძე (დ. 27. X. 1917, ქ. კამიშლოვი, სვერდლოვსკის ოლქი), საბჭ. გეოქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1981). სკკპ წევრი 1945-იდან. 1947 დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი. 1960-იდან სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის ა. ვინოგრადოვის სახ.


გეოქიმ. და ანალიზური ქიმ. ინ-ტის (ქ. ირკუსკსი) დირექტორია. ტ-ის ძირითადი შრომები შეეხება მაგმური ქანების გეოქიმ. საკითხებს; ჩამოაყალიბა მაგმის პოტენციური მადანშემცველობის პრაქტ. შეფასების გეოქიმ. კრიტერიუმები. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ტ-ის სახელი ეწოდა მინერალს — ტაუსონიტი — $Sr[TiO_3]$.

ლიტ.: Геохимия редких элементов в гранитоидах, М., 1961.



ბ. ტაუტი. „მინის პაეიონი“ „გერმანული ვერკბუნდის“ გამოფენაზე. კელნი. 1914. არ შემოინახა.

ტაუტენბურგის ასტრონომიული ობსერვატორია კ. შვარცშილდის სახელობისა, გდრ-ის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ტაუტენბურგში (Tautenburg), იენის ახლოს. დაარსდა 1960. აქვს 1 : 3 შუქძალიანი შმიდტის ტელესკოპი, რ-ის სფერული სარკის დიამეტრი 2 *მ*-ია, საკორექციო ფირფიტისა — 134 *სმ*. ძირითადად იკვლევს ვარსკვლავთა და გარეგალაქტიკური ასტრონ. პრობლემებს.



ტაქეომეტრი.

ტაუტი (Taut) ბრუნო (4. V. 1880, კენიგსბერგი, ახლანდ. კალინინგრადი, — 24. XII. 1938, ანკარა), გერმანელი არქიტექტორი და არქიტექტურის თეორეტიკოსი. 1900-იანი წწ. დასაწყისში სწავლობდა თ. ფიშერთან შტუტგარტში. 1931—32 ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში. მას შემდეგ, რაც გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ნაცისტები მოექცნენ, ემიგრაციაში წავიდა (1933-იდან მუშაობდა და ასწავლიდა იაპონიაში, შემდეგ — თურქეთში). ტ. *ფუნქციონალიზმის* წარმომადგენელია, არქიტ. ჯგუფის „რინგის“ ერთ-ერთი ლიდერი. თავის ნამუშევრებში ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა მინა და ბეტონი, პროპაგანდას უწევდა ადრეთვე ფერის ფართოდ გამოყენებას არქიტექტურაში. ნამუშევრები: მაგდებურგსა (1921—24 მთავარი არქიტექტორი) და ბერლინში აგებული მრავალი შენობა.

ტაფელა (Rhodeus sericeus), თევზი კობრისებრთა ოჯახისა. მისი მოკლე და მაღალი, გვერდებიდან შებრტყელებული სხეულის სიგრძე 9 *სმ*, მასა — 10 გ აღწევს. გავრცელებულია აზიასა და ევროპაში. საქართველოში წარმოდგენილია 1 ქვესახეობით (R. s. amarus). გვხვდება მრავალ მდინარესა და ტბაში. გამრავლების პერიოდში (მარტი-აგვ.) დედალს უფითარდება გრძელი კვერცხსადები, რ-ის დახმარებითაც იგი ქვირითს ყრის ორსაგდულიანი მოლუსკის მანტიის ღრუში. ლამაზი დეკორ. თევზია. მტაცებელი თევზების საკვებია. *მ. დემეტრაშვილი.*



ტაფელა: დედალი (მარცხნივ) და მამალი (მარჯვნივ).

ტაფონომია (ბერძნ. taphos — საფლავი, სამარხი და nomos — კანონი), *პალეონტოლოგიისა* და *ისტორიული გეოლოგიის* დარგი; შეისწავლის დედამიწის ქერქის შრეებში ნამარხ ორგანიზმთა ადგილსაპოვებლების წარმოშობის პროცესებსა და განამარხების კანონზომიერებებს. ტ-ის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია რუსი მწერლისა და პალეონტოლოგის ი. ეფრემოვის შრომებში (1940—57). მანვე შემოიღო ტერმ. ტ-ის კანონზომიერებათა გათვალისწინება გვეხმარება ორგ. წარმოშობის სასარგებლო წიაღისეულთა (ქვანახშირი, ნავთობი, ფოსფორიტები და სხვ.) საბადოების წარმოქმნის პროცესების დადგენაში. *გ. მელაძე.*

ტაფოცენოზი (ბერძნ. taphos — საფლავი, სამარხი და koinos — საერთო), დანალექ შრეებში დაცულ ორგანიზმთა ნაშთების ერთობლიობა, აგრეთვე მათი ცხოველმოქმედების კვალი განამარხების საწყის სტადიაზე (მათ გაქვავებამდე). იხ. აგრეთვე *ტაფონომია.*

ტაფტი (Taft) უილიამ ჰაუარდ (15. IX. 1857, ცინცინატი, ოჰაიოს შტ., — 8. III. 1930, ვაშინგტონი), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე, ადვოკატი. 1901—04 ფილიპინების გუბერნატორი. 1904—08 სამხ. მინისტრი. 1909—13 აშშ-ის პრეზიდენტი რესპ. პარტიიდან. 1913—21 იელის უნ-ტის სამართლის პროფესორი, 1921 ოქტ-იდან აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს თავ-რე. წინააღმდეგი იყო სსრკ-თან დიპლ. ურთიერთობის დამყარებისა.

ტაფტ-ჰარტლის კანონი (Labor-Management Relations Act of 1947), რეაქციული *ანტიმუშური კანონმდებლობა* (1947), რ-იც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს. ტ.-ჰ. კ. ერთ-ერთი ძირითადი მოქმედი საკანონმდებლო აქტია აშშ-ში. სახელი ეწოდა სენატორ რ. ა. ტაფტისა (R. A. Taft) და წარმომადგენელთა პალატის წევრის ფ. ჰარტლის (F. Hartley) გვარების მიხედვით.

ტ.-ჰ. კ-მა პროფკავშირები სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარა, დაავალდებულა ისინი ყოველწლიურად წარედგინათ ორგანიზაციული და ფინანს. ხასიათის ცნობები შრომის სამინისტროში, არსებითად შეზღუდა *გაფიცვის* უფლება; გაფიცვების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების უფლება სასამართლოს მიანიჭა. მუშებს შეუზღუდა აგრეთვე კოლექტ. ხელშეკრულების დადების უფლება. ტ.-ჰ. კ-ის დამატების სახით 1959 მიიღეს *ლენდრამ-გრიფინის კანონი.*

ტაქეომეტრი (ბერძნ. tachys, ნათ. ბრ. tacheos — სწრაფი, ჩქარი და ...*მეტრი*), კუთხსაზომი გეოდეზიური ინსტრუმენტი. აღჭურვილია მანძილ- და აღმატებამზომი მოწყობილობით. ტ-ის საშუალებით იზომება სამიზნე წერტილის აღმატება დგომის წერტილთან და პორიზ. მანძილი დგომისა და სამიზნე წერტილებს შორის. მანძილ- და აღმატებამზომი მოწყობილობის კონსტრუქციის მიხედვით განარჩევენ წრიულ, ნახევრად ავტომატურ და ავტომ. ტ-ებს. *მ. თევზაძე.*

ტაქეომეტრია (ბერძნ. tachys, ნათ. ბრ. tacheos — სწრაფი, ჩქარი და ... *მეტრია*), მოქმედებათა ერთობლიობა, რ-ის შედეგად ადგენენ ადგილის მსხვილმასშტაბიან (1 : 10000—1 : 500) ტოპოგრაფიულ გეგმას. ამ მიზნით, *ტაქეომეტრების* მეშვეობით, საგეგმო სელებისა და აგეგმვების შედეგად მიღებული განაზომებით განსაზღვრავენ ადგილის კონტურებისა და რელიეფის წერტილების სამ-სამ კოორდინატს. ტაქეომეტრული აგეგმვის დროს დგომის ყოველ წერტილზე („სადგურზე“) ადგენენ კონტურებისა და რელიეფის მახასიათებელი ელემენტების თვალზომით ნახაზს — კროკს, რ-ის გარეშე მიღებული ტოპოგრაფიული გეგმის ხარისხი დაბალი იქნება. *მ. თევზაძე.*

ტაქიკარდია (ბერძნ. tachys — სწრაფი, ჩქარი და kardia — გული), გულის შეკუმშვათა სიხშირის მომატება. ზოგჯერ სუბიექტურად არ შეიგრძნობა, სხვა შემთხვევებში თან სდევს გულის ძგერა. განარჩევენ სინუსურ ტ-ს (გულის სინუსურ კვანძებში მატულობს იმპულსების გამომუშავება) და *პაროქსიზმულ ტაქიკარდიას.* სინუსური ტ. შეიძლება გამოიწვიოს ფიზიოლ. მიზეზმა (გარემოს ტემპ-რის მომატება, ფიზ. და ფსიქ. დაძაბვა, საჭმლის მიღება და სხვ.) და პათოლ. მდგომარეობამ (ციებ-ცხელება, ანემია, დიფუზიურ-ტოქსიკური ჩიყვი, გულის უკმარისობა, ნევრასთენია და სხვ.). ტ-ის გენეზში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გულზე ნერვული და ჰუმორული (ადრენალინი, თირიქსინი და სხვ.). გავლენა. გულის შეკუმშვათა რიტმის აჩქარებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მიოკარდიუმში ნივთიერებათა ცვლასა და სისხლის მიმოქცევაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ტ. რაიმე დაავადების სიმპტომია, მკურნალობენ ძირითად დაავადებას. *ვ. ალადაშვილი.*

ტაქინები, იხ. *ზღარბაბუზისებრნი.*

ტაქომეტრატორი (ბერძნ. tachos — სისწრაფე, სიჩქარე და *გენერატორი*), გენერატორის ტიპის *მიკროელექტრომანქანა*, რ-ის დანიშნულებაა რომელიმე მანქანის ან მექანიზმის ლილვის (როტორის) ბრუნვის სიხშირის მყისი მნიშვნელობების გარდაქმნა ელექტრულ სიგნალად. ტ-ის მოქმედება ემყარება პროპორციულობას გენერატორის როტორის ბრუნვის კუთხურ სიხშირესა და მის ემძ-ს შორის აგზნების ნაკადის მუდმივი მნიშვნელობის დროს. განასხვავებენ ცვლადი დენისა (სინქრონულ და ასინქრონულ) და მუდმივი დენის ტ-ებს. მუდმივი დენის ტ. მცირე კოლექტორული მანქანაა, რ-შიც აგზნების ნაკადი იქმნება მუდმივი მაგნიტით ან დამოუკიდებელი გრაგნილით. სინქრონული ტიპის ტ. წარმოადგენს მცირე *სინქრონულ ელექტრულ მანქანას*, რ-შიც როტორის როლს ასრულებს მუდმივი მაგნიტი. ყველაზე მეტად ასინქრონული ტ. გავრცელდა. კონსტრუქციით იგი ღრუ მოკლედ შერთული როტორიანი *ასინქრონული ელექტროძრავას* მსგავსია. ტ-ს იყენებენ ბრუნვის სიხშირის ელექტრულ გადამწოდად ავტომატიკის, გამოთველითი ტექ. სხვადასხვა მოწყობილობაში და ა. შ.

ტაქომეტრი (ბერძნ. tachos — სისწრაფე, სიჩქარე და ... *მეტრი*), მანქანებისა და მექანიზმების ლილვების ბრუნვის სიხშირის გასაზომი ხელსაწყო; უმეტესად იყენებენ მექან. ცენტრიდანულ, მაგნ. და ელექტრულ ტ-ებს, შედარებით იშვიათად პნევმატიკურსა და პიდრავლიკურს. მექანიკური ცენტრიდანული ტ-ის (ნახ. 1). ლილვზე დაყენებულია სრიალა ჭურო. მის სახსროვან ბერკეტებზე დამაგრებულია ლილვის ბრუნვის დროს განშლადი ტვირთები, რ-ებიც გადალახავენ მაწონასწორებელი ზამბარის წინააღმდეგობას და ჭუროს გადააადგილებენ ლილვზე. ჭუროს მდებარეობა ლილვზე შეესაბამება ლილვის ბრუნვის გარკვეულ სიხშირეს და ბერკეტული სისტემით გადაეცემა მაჩვენებლის ისარს. ასათვლელი მოწყობილობის სკალა გრადუირებულია *ბრ/წთ*-ებში. მაგნიტურ ტ-ში (ნახ. 2) ურთიერთმოქმედებენ მაგნ. ველები, რ-ებიც წარმოიშობა მუდმივი მაგნიტითა და მბრუნავი როტორით. როტორის ბრუნვის სიხშირე წარმოქმნილი გრიგალური დენების პროპორციულია. გრიგალური დენი ცდილობს გარკვეული კუთხით გადახაროს დისკო, რ-იც დაყენებულია როტორის ლილვზე და რ-საც ამაგრებს ზამბარა. ისართან ხისტად შეერთებული დისკოს გადახრა სკალაზე რეგისტრირდება. ელექტრული ტ. შეიძლება იყოს ელექტრომანქანური ან ელექტრონული.

ტაქსა (<გერმ. Dachshund), სანადირო ძაღლების ჯიში. იყენებენ მელიის, მაჩვის, ენოტისებრი ძაღლის სოროში მოსაპოვებლად. აქვს გრძელი ტანი, მოკლე ფეხები (გაფარჩხული წინა კიდურები), სოლისებრი თავი, დაკიდებული ყურები და ხმლის ფორმის კუდი. ტ. ეგვიპტეში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. 2 ათ. წლის წინათ. როგორც ჯიში ჩამოყალიბდა XVIII ს. შუა წლებში გერმანიაში. განასხვავებენ მსხვილ, საშ. და ჯუჯა (ქონდარა) ტიპის ტ-ს. სსრკ-ში გავრცელებულია საშ. ტიპის 3 სახესხვაობა: მოკლებეწვიანი, გრძელბეწვიანი, უხეშ-

ბეწვიანი. სიმაღლე მინდაოში 16—27 სმ აღწევს. ფერად ჩალისფერი, ყავისფერი, შავი და რუხად შერუჯულია. გავრცელებულია ბევრ ქვეყანაში როგორც დეკორ. ძაღლი. გ. საყაძე.

ტაქსი (ფრანგ. taxi), მგზავრების გადასაყვანი და ტვირთის გადასაზიდი ავტომობილი; მგზავრობის საფასურს ტაქსომეტრის ჩვენების მიხედვით იხდიან. ტ. პირველად (1903) გაჩნდა ლონდონში, 1907 — პეტერბურგში. ტ-დ იყენებენ სერიულ მსუბუქ, სატვირთო, სატვირთო-სამგზავრო ან სპეც. ავტომობილებს. არის აგრეთვე **სამარშრუტო ტ.**, რ-იც საქალაქო სამარშრუტო ავტობუსების მსგავსად დადის გარკვეული მარშრუტით და მგზავრების მოთხოვნით ჩერდება. სამარშრუტოდ იყენებენ მიკროავტობუსებს. მგზავრები ფულს იხდიან დაწესებული ნიხრით მგზავრობის მანძილის მიუხედავად.

ტაქსიდერმია (ბერძნ. taxis — მოწყობა, გამართვა და derma — კანი, ტყავი), ფიტულებისა და დოდოჩების დამზადება. ფიტულს — მარტივად დატენილ ცხოველის ტყავს — სამუზეუმო კოლექციაში ინახავენ (სისტემატიკური, ფაუნისტური, სეზონური და სხვ.) მეცნ. მიზნებისათვის, დოდოჩა კი ცხოველის გამოსახულებაა სხვადასხვა პოზაში, ამზადებენ გამოფენებისათვის. დოდოჩას აკეთებენ ლითონის ან ხის კარკასზე და ფორმას აძლევენ ბამბით ან ძებნით (რბილი დატენვა). ხისტი მოდელირებისას ცხოველის მანეკენს აკეთებენ ლითონის ბადისაგან, პაპიე-მაშეს ან პლასტმასისაგან, რ-საც შემდეგ ზემოდან ტყავს აკრავენ. რ. ჟორდანია.

ტაქსილი (Taxil) ლეო [ნამდვ. სახელი და გვარი გაბრიელ ანტუან ჟოგანდ-პაჟესი (Jogand-Pagès)] (20. III. 1854, მარსელი, — 30. III. 1907, სო), ფრანგი ჟურნალისტი. იეზუიტებთან იზრდებოდა, მაგრამ განუდგა მათ და 1879—85 გამოაქვეყნა ანტირელიგ. სატირული ნაწარმოებები. 1885 მოინანია და კვლავ კათოლ. ეკლესიას დაუბრუნდა. უმაღლესი საეკლ. წრეების დავალებით მასონების წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ 1897 ეკლესიისათვის სრულიად მოულოდნელად, საჯაროდ განაცხადა, რომ მის მიერ მასონთა კრიტიკა მისტიფიკაცია იყო მეცნიერებისა და სწავლა-განათლებისადმი ეკლესიის მტრული დამოკიდებულების სამხილებლად. ტ. ეკლესიისაგან მოკვეთეს.

თხზ.: სახალისო ბიბლია, თბ., 1973; Забавное евангелие, или Жизнь Іисуса, М., 1965; Священный вертеп, М., 1965.

ტაქსისი (ბერძნ. taxis — განლაგება; მიდრეკილება), თავისუფლად მოძრავი მიკროორგანიზმების, უმდაბლესი მცენარეებისა და მრავალუჯრედიანების ზოგი უჯრედის (ზოოსპორა, სპერმატოზოიდი, ლეიკოციტები) ან მათი ნაწილების (ბირთვი, პლასტიდები) მოძრაობითი რეაქცია. ტ-ს იწვევს სინათლის (ფოტოტაქსისი), ტემპ-რის (თერმოტაქსისი), ტენის (ჰიდროტაქსისი), სითხის დინების (რეოტაქსისი), ქიმ. (ქემოტაქსისი), მექან. (ბაროტაქსისი) და სხვა გამღიზიანებლის ცალმხრივი მოქმედება. განარჩევენ დადებით ტ-ს (მოძრაობა გამღიზიანებლის მიმართულებით), უარყოფით ტ-ს (მოძრაობა გამღიზიანებლის საწინააღმდეგო მიმართულებით) და ე. წ. ფობოტაქსისს („შიშის" მოძრაობა, რ-იც გამღიზიანებლის წყაროს მიმართ ორიენტირებული არ არის). ტ-ის ხასიათი იცვლება გამღიზიანებლის მოქმედების ინტენსივობისა და ორგანიზმის მდგომარეობის მიხედვით. იხ. აგრეთვე *ტროპიზმი*.

ტაქსოდიუმი (Taxodium), წიწვოვან მცენარეთა გვარი ტაქსოდიუმისებრთა ოჯახისა; იგიეკვა, რაც *ჭაობის კვიპაროზი*.

ტაქსოდიუმისებრნი (Taxodiaceae), წიწვოვან მცენარეთა ოჯახი. მაღალი ხეებია, ნემსისებრი ან ქერქლისებრ ფოთლები აქვთ. ოჯახში 15—16 სახეობაა, რ-ებიც 9 გვარშია გაერთიანებული. იზრდებიან ალმ. აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. 1 გვარი (Athrotaxis) გვხვდება ტასმანიაში. გეოლ. წარსულში ტ. უხვად და ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდ. ნახევარსფეროში; საქართველო, კერძოდ კოლხეთი, ტ-თა საოცარი ხანგრძლივი არსებობით (მეზოზოური ერიდან მეოთხეული პერიოდის ჩათვლით) და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თანამედროვე ტ. ნამდვილი „ცოცხალი ნამარხებია" (განსაკუთრებით მეტასეკვოიის, გლიპტოსტრობუსისა და ტაივანიის გვარები). უფრო ცნობილი გვარებია *სეკვოია, სეკვოიადენდრონი, ჭაობის კვიპაროზი, კრიპტომერია*, კუნინგამია. ტ-თა მერქანს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. ზოგიერთ სახეობას სსრკ სამხრ. რ-ნებში დეკორ. მცენარედ აშენებენ.

ტაქსომეტრი (ლათ. taxo — განვსაზღვრავ ღირებულებას და ...*მეტრი*), მექანიკური მრიცხველი; დგამენ *ტაქსში*; აღრიცხავს მგზავრობისათვის გადასახდელი თანხის რაოდენობას დადგენილი ტარიფის მიხედვით. ტ-ის ამძრავია მოქნილი ლილვაკი, რ-იც კბილა რედუქტორით დაკავშირებულია გადაცემათა კოლოფის ამყოლ ლილვთან. როცა მანქანა გაჩერებულია, მრიცხველს ამუშავებს საათის მექანიზმი, რ-იც ღირებულებას აღრიცხავს დროის მიხედვით. ტ. აღრიცხავს აგრეთვე საერთო თანხას (მთელი დღის შემოსავალს).

ტაქსონომია (ბერძნ. taxis — განლაგება, წესრიგი, წყობა და nomos — კანონი), მოძღვრება ორგანული სამყაროს კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის შესახებ. ტერმ. „ტ." შემოიღო შვეიცარიელმა ბოტანიკოსმა ო. დე კანდოლმა 1813. ამ ხნიდან მოყოლებული იგი იხმარებოდა ბიოლოგიაში სისტემატიკის სინონიმად. XX ს. 60—70-იან წლებში სისტემატიკას უფრო ფართოდ განიხილავდნენ, როგორც მეცნიერებას ცოცხალი ორგანიზმების მრავალგვარობასა და მათ შორის ნათესაურ ურთიერთობაზე, ხოლო ტ-ს, როგორც სისტემატიკის დარგს, რ-იც შეისწავლის ორგანიზმების კლასიფიკაციის პრინციპებს, მეთოდებსა და წესებს. ამერ. ზოოლოგის ე. მაირის მიხედვით, ტ. „ორგანიზმების კლასიფიკაციის თეორია და პრაქტიკაა", ხოლო სისტემატიკა „მეცნიერება ორგანიზმების მრავალგვარობის შესახებ". საბჭ. ბოტანიკოსის ა. ტახტაჯიანის აზრით, სისტემატიკის ობიექტი ორგანიზმთა რეალურად არსებული ჯგუფები — ტაქსონებია, ხოლო ტ. არის მოძღვრება ტაქსონომიურ კატეგორიებზე და მათი ისეთი სისტემის შექმნაზე, რ-იც ძლიერ უახლოვდება ბუნებრივ სისტემას. საბჭ. ბოტანიკოსი ა. სევერცოვი სისტემატიკისა და ტ-ის ასეთ გამიჯვნას არადამაჯერებლად თვლის და მათ სინონიმებად მიიჩნევს.

XX ს. II ნახევრიდან ტ. შეიძლა მეცნ. ისეთ დარგებში, რ-თაც იერარქიული შენება ახასიათებთ (ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია და სხვ). თუ ტ. მათემატიკას იყენებს, მას რიცხობრივი ტ. ეწოდება. ზ. ლეონიანიძე.

ტაქსოფონი [(ლათ. taxo — განვსაზღვრავ ღირებულებას და (*ტელე*)*ფონი*)], ტ ე ლ ე ფ ო ნ ა ვ ტ ო მ ა ტ ი, საერთო სარგებლობის *ტელეფონის* აპარატი. აბონენტთან დასაკავშირებლად საჭიროა ტ-ში მონეტების ან სპეც. ჟეტონების ჩაშვება. ეანასხვავებენ ადგილ., საქალაქთაშორისო და კომბინირებული სატელეფონო კავშირის ტ-ებს. სსრკ-ში გავრცელებულია პირველი ორი სახეობის ტ-ები. ნებისმიერი ტ-ის ძირითადი ნაწილებია (ნახ.) სამონეტო-საკონტროლო მოწყობილობა, რ-საც აქვს ელექტრული წრედის ბლოკი, და საგროვებელი. ტ-ის ელექტრული წრედის ბლოკი შეიცავს შემდეგ კვანძებს: საკომუტაციო გამოსაძახებელს, სალაპარაკოს, სამონეტო-საკონტროლოს, აგრეთვე ტელეფონის მილის, ტელეფონისა და მიკროფონის კომუტაციის მოწყობილობას.

ტაქტი (ფრანგ. tact, გერმ. Takt < ლათ. tactus — შეხება, შეგრძნება), ზომიერების გრძნობა, რ-იც ადამიანს უკარნახებს სწორ მიდგომას, ყველაზე უფრო სწორ მოქცევას ვისიმე ან რისიმე მიმართ.


ტაქტი მ უ ს ი კ ა შ ი, მეტრის ერთეული. ტ-ის ზომა წილადის ან განსაკუთრებული ნიშნის სახით ($C=^4/_4, ¢=^2/_2$) იწერება სანოტო დგანის წინ და ზომის ყოველი ცვლილებების დროს. ტ-ის საზღვრები ნოტებში ვერტ. ხაზებით აღინიშნება. იხ. აგრეთვე *მეტრი* მუსიკაში.

ტაქტიკა (ბერძნ.<taktika — ჯარების მოწყობის ხელოვნება < tassō — ვაწყობ, ვრაზმავ ჯარებს), *სამხედრო ხელოვნების* შემადგენელი ნაწილი, რ-იც მოიცავს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის, ჯარების (ძალების) გვარეობათა და სპეც. ჯარების ქვეგანყოფების ნაწილებისა (ხომალდების) და შენაერთების მიერ ბრძოლის მომზადებისა და წარმართვის თეორიასა და პრაქტიკას. ტ-ის თეორია შეისწავლის ომის კანონზომიერებებს, ხასიათსა და შინაარსს, შეიმუშავებს მისი მომზადებისა და წარმართვის ხერხებს; ტ-ის პრაქტიკა მოიცავს მეთაურების, შტაბებისა და ჯარების (ძალების) მოქმედებას ბრძოლის მომზადებისა და წარმართვის სფეროში.


ს ა ე რ თ ო ტ. განიხილავს საერთო-საჯარისო ბრძოლის კანონზომიერებებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის ნაწილებისა და შენაერთების ერთობლივი მოქმედებით ბრძოლის მომზადებისა და წარმართვის შესახებ.

საერთო ტ-ის საფუძველია სახმელეთო ჯარების ტ. ტ. ხელმძღვანელობს ოპერატიული ხელოვნებისა და სამხ. სტრატეგიის დებულებებით. ტ-ის განვითარება უძველესი დროიდან XX ს-მდე ფაქტობრივად მხოლოდ სახმელეთო ჯარებისა და სამხ.-საზღვ. ფლოტის განვითარებას ასახავდა. შეიარაღებული ძალების ახ. სახეობათა (სამხ.-საჰაერო ძალები, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ჯარები და სხვ.) გაჩენისთანავე წარმოიშვა მათი ტ.

ს ა ხ მ ე ლ ე თ ო ჯ ა რ ე ბ ი ს ტ. შეისწავლის და შეიმუშავებს საერთო-საჯარისო ბრძოლის მომზადებისა და წარმართვის ხერხებს. მასში შედის საერთო-საჯარისო შენაერთების, ნაწილების და ქვეგანყოფების, აგრეთვე სახმელეთო ჯარებში შემავალი ჯარების გვარეობათა და სპეც. ჯარების ტ. იგი შეისწავლის საბრძოლო მოქმედების ხერხებს, ბირთვული, ცეცხლითი და დაზიანების სხვა საშუალებებით დარტყმის როლს, შეიმუშავებს ჯარების მანევრის, სალაშქრო, ბრძოლისწინა და საბრძოლო წყობის ფორმებს, ადგენს ყველა სახეობის ჯარის შენაერთების, ნაწილებისა და ქვეგანყოფების, აგრეთვე სპეც. ჯარების ადგილსა და როლს საერთო-საჯარისო ბრძოლაში. მ. შ. ურთიერთმოქმედების წესებს; შეისწავლის მტრის თავდაცვის გარღვევის, დევნის, წყლისმიერი ზღუდეების გადალახვის, მთებში, უდაბნოებში, ტყეებში და ღამით



ნახ. 1. მექანიკური ცენტრიდანული ტაქომეტრის კინემატიკური სქემა: 1—ტვირთები; 2—ბერკეტები; 3—სრიალა ჭურო; 4—ლილვი; 5—ზამბარა.



ნახ. 2. მაგნიტური ტაქომეტრის სქემა: 1 — მუდმივი მაგნიტი; 2—როტორი; 3—ისრიანი ღერძი; 4—ზამბარა.

ტაქსა.



ტაქსოფონი. ადგილობრივი სატელეფონო კავშირის ამტ — 69 ტიპის კედლის ტაქსოფონი (გახსნილი); 1—საგროვებლის ნაკვეთური; 2 — მიკროტელეფონის მილაკი; 3—კორპუსი; 4—სამონეტო-საკონტროლო მოწყობილობის ნაკვეთური ელექტრული წრედის ბლოკით; 5—ნომერამკრები.

შეტევითი მოქმედების ხერხებს. შეისწავლის თავდაცვითი ბრძოლის საკითხებს ტ-ის ფარგლებში, განსაკუთრებულ პირობებში, გარემოცვისას და უკანდახევისას.

ტ. არმიასთან ერთად წარმოიშვა მონათმფლობელობის ხანაში. იგი მოიცავდა ბრძოლის ველზე ჯარების სწორხაზოვან მოძრაობასა და ხელჩართული ბრძოლის წარმართვის საკითხებს. ძვ. წ. 371 ლევქტრასთან (საბერძნეთი) ბრძოლის შემდეგ გადამწყვეტ პუნქტზე მთავარი დარტყმის მიყენების მიზნით შემოღებულ იქნა ფრონტის გასწვრივ ჯარების არათანაბარი განაწილების პრინციპი. საომარი იარაღის გაუმჯობესებას მოჰყვა სხვადასხვა სახის ქვეითი და ცხენოსანი ჯარის წარმოქმნა. რომაელებმა ძვ. წ. IV ს-ში შემოიღეს „მანიპულები — დანაწევრებული ლეგიონის საბრძოლო წყობა, რ-შიც შემდგომ *კოჰორტების* სისტემა და რეზერვიც დაამკვიდრეს. ფეოდალიზმის ეპოქის დას. ევროპაში ქვეითი ჯარის როლი დაეცა. ბრძოლის ველზე ცხენოსანი რაინდობა გამოჩნდა.

ქართველი მხედართმთავრებისათვის ცნობილი იყო, რომ ბრძოლის დროს თურქები და მონღოლები ძალთა უმჯობესსა და უმეტეს ნაწილს შეტევის მარცხ. ფრთაზე აჯგუფებდნენ. შეტევით ბრძოლაში ფრონტზე „ძალთა არათანაბარი განაწილების დიდ პრინციპს" ოსტატურად იყენებდა ვახტანგ გორგასალიც, უფრო გვიან — დავით სოსლანი შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში. ბერძნ. „ტ-ის" (ცაწყობ, ვრაზმავ ჯარებს) მსგავსი ტერმინი ქართულ სამხ. საქმეშიც იყო დამკვიდრებული. „წყობა", რ-საც ქართვ. მემატიანე პირველად ძვ. წ. I ს-ში მომხდარი ამბების თხრობისას იყენებს, ჯარების დაწყობა-დარაზმვის ხელოვნებას გულისხმობდა; მირიან მეფემ (IV) „მრავალგზის გარდაიხადა წ ყ ო ბ ა ხაზართა". „სპათა დ ა წ ყ ო ბ ა ნი და ღონიერი მიმართებანი" ქართველი მეფის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, ერთ-ერთ უდიდეს მოვალეობად მიიჩნევდა; დავით აღმაშენებელმა „ერწუხს ქმნა წ ყ ო ბ ა ნი დიდნი", დავით სოსლანი იყო „წყობათა და ომთა შინა მხნე ვინმე გულოვანთაგანი". მომდევნო ხანების ქართ. ლაშქარში „წყობას" ტ-ის მნიშვნელობასთან ერთად ომისა და ბრძოლის შინაარსიც მისცემია.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენას მოჰყვა საბრძოლო წყობის ძირეული გარდაქმნა. XVII ს. შუა წლებში საბოლოოდ დამკვიდრდა ხაზოვანი ტ., რ-იც 1789—94 საფრ. დიდ რევოლუციამდე არსებობდა. ხაზოვანი ტ. გამოიყენეს რუს. ჯარებმა სოფ. ლესნაიასთან (1708), პოლტავის ბრძოლაში (1709), კუნერსდორფთან (1759), მდ. რიმნიკზე (1789) და სხვ. XVIII ს. ბოლოს XIX ს. დასაწყისში ისეთი ტ. გავრცელდა, როცა კოლონების მოქმედებასთან ერთად გაფანტულ მწყობრსაც იყენებდნენ (1812 ბოროდინოს ბრძოლა). დაკუთხვილულიანი იარაღის გამოჩენის შემდგომ (XIX ს. II ნახ.) შემოღებულ იქნა ტ., რ-იც ითვალისწინებდა მტერთან დანაწევრებული რაზმეულებით მიახლოებას. I მსოფლიო ომის (1914—18 პერიოდის ტ. საბრძოლო წყობის ღრმად ეშელონირებას, შეტევის ზოლის შევიწროებას ითვალისწინებდა. შემდგომში საბრძოლო ტექნიკის (არტილერია, ტანკები, ავიაცია) ზრდასთან ერთად ვითარდებოდა ტ-ც. ბრძოლამ საერთოსაჯარისო ხასიათი მიიღო. ჩაისახა არტილ. და ავიაციის ტ.

საბჭ. ჯარების ტ. ჩაისახა სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის წლებში (1918—20), ყოველმხრივ განვითარდა იგი დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში (იხ. *სამხედრო ხელოვნება*), როცა წარმატების საწინდარი იყო სხვადასხვაგვარი ჯარების ერთობლივი მოქმედება, მთავარ მიმართულებებზე ტანკების მასირებული გამოყენება ჩამოყალიბდა საარტ. შეტევის წესი, გაიზარდა თავდაცვითი ზოლებისა და პოზიციების სიღრმე, მათი გამძლეობა და ტანკსაწინააღმდეგო სიმტკიცე. ომის შემდგომ პერიოდში ტ. ვითარდებოდა II მსოფლიო ომის (1939—45) გამოცდილების, სახმელეთო ჯარების სრული მოტორიზაციის და მექანიზაციის ნიადაგზე, განსაკუთრებით შეიარაღებული ძალების ბირთვული იარაღით აღჭურვის შემდეგ. თანამედროვე პირობებში საერთო-საჯარისო ბრძოლისათვის დამახასიათებელია გაზრდილი დინამიკურობა. დანაკარგის შესამცირებლად საჭირო ხდება ბრძოლის ველზე ძალებისა და საშუალებების ფართოდ გაშლა. ახ. თვისებები შეიძინა თავდაცვითმა ბრძოლამ: შემცირდა მისი ორგანიზების დრო, ამაღლდა თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი მტრის შეტევის უკუგდების უნარი.

სამხედრო-საჰაერო ძალების (სსძ) ტ. შეისწავლის და შეიმუშავებს საჰაერო ბრძოლის მომზადებისა და წარმართვის ხერხებს, აგრეთვე სსძ-ის მოქმედებას საერთო-საჯარისო ბრძოლაში. იგი მოიცავს ავიაციის სახეობათა და გვარეობათა (ბომბდამშენი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი, სადაზვერვო, შორსმოქმედი, სამხ.-სატრანსპ. ავიაცია) ტ-ს. ჩაისახა სამხ. ავიაციის გამოჩენისთანავე (1910 — 13). I მსოფლიო ომის წლებში (1914 — 18) ავიაცია დაიყო მზვერავ, ბომბდამშენ და გამანადგურებელ ნაწილებად, გაირკვა მათი ამოცანები, შესრულების ხერხები, საბრძოლო წყობა, ბრძოლის წარმართვისა და ჯარების (სახმელეთო ობიექტების) ჰაერიდან დაფარვის წესები. დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში ავიაციის გვარეობათა ტ. შემოქმედებითად ვითარდებოდა. დამუშავდა მსხვილ ობიექტებზე დიდი ძალებით (მაგ., საავიაციო კორპუსით) ერთბაშად დარტყმის წესები, მცირე მიზნების დაზიანება პიკირებით. 1943—44 გამოიცა დებულებანი ავიაციის ყველა გვარეობის მოქმედების შესახებ. გამანადგურებელი ავიაციის მჭიდრო საბრძოლო წყობა დანაწევრებულით შეიცვალა, ძირითად საცეცხლე ერთეულად თვითმფრინავთა წყვილი დადგინდა. გამანადგურებელი ავიაციის მოქმედების ძირითად ფორმად იქცა ჯგუფური ბრძოლა. წარმატებით გადაიჭრა მტრის თვითმფრინავების გზაგადაჭრის საკითხი, რაც რადიოკავშირისა და რადიოლოკაციის ფართო გამოყენებამ განაპირობა. რეაქტიული ტექ. და ბირთვული იარაღის, მართული რაკეტების, სამიზნო-სანავიგაციო კომპლექსების გამოყენებამ ძირეულად შეცვალა სსძ. ტ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტ. შეისწავლის საზღვ. ბრძოლის, აგრეთვე სანაპირო მიმართულებებზე საერთო-საჯარისო ბრძოლებში ფლოტის ძალთა შეხაერთების, ხომალდების ჯგუფებისა და დანაყოფების მომზადებას. მოქმედების და გაძღოლის ხერხებს (იხ. *სამხედრო-საზღვაო ხელოვნება*).

ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების ტ. შეისწავლის და შეიმუშავებს საჰაერო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მომზადებისა და წარმართვის ხერხებს. იგი მოიცავს: საზენიტო-სარაკეტო ჯარების ტ-ს, საზენიტო არტილერიის ტ-ს, რადიოტექ. ჯარების ტ-ს, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სპეც. ჯარების ტ-ს და სხვ. ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების (დიდი ქ-ების, სამრეწვ. რ-ნების, ბაზებისა და სხვ.). ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ტ. I მსოფლიო ომის (1914—18) პერიოდში ჩაისახა. საბჭ. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების ქვეგანაყოფებისა და ნაწილების ტ. სამოქალაქო ომის წლებში ჩაისახა და ვითარდებოდა საჰაერო თავდასხმისა და მისგან დაცვის საშუალებათა სრულყოფასთან ერთად. 30-იან წწ. II ნახევარში ჩამოყალიბდა პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კორპუსები, ღივიზიები და ბრიგადები, იქმნებოდა ობიექტების საჰაერო თავდაცვის წრიული სისტემები; გამოიყენებოდა ძალთა ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვა. დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ტ ვითარდებოდა საბრძოლო იარაღის თვისებრივი და რაოდენობრივი ზრდის ნიადაგზე შემუშავდა მტრის ავიაციის მასირებული დარტყმების უკუგდების ხერხები ყოველმხრივ განვითარდა გამანადგურებელი ავიაციის ტ. (ჯგუფური ბრძოლა), საჰაერო ბრძოლის წარმართვა პროჟექტორების შუქზე და მის გარეშეც.

საზენიტო არტილ. ტ. შეიმუშავებს მსხვილი ობიექტების ღრმად ეშელონირებული საზენიტო თავდაცვის პრინციპებს იარაღის სხვადასხვა სისტემების გამოყენებით. საზენიტო არტილ. განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენდა სარადიოლოკაციო ტექნიკა. ქვემეხის დასამიზნებელი სადგურების გამოჩენის შემდეგ შესაძლებელი გახდა ვიზუალურად უხილავი მიზნების მიმართ გადამღობი ცეცხლის ნაცვლად თანმხლები ცეცხლის გამოყენება.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების ტ-ის ახ. ეტაპი დაიწყო: შეიარაღებაზე მიღებულ იქნა საზენიტო რაკეტული კომპლექსები და გზაგადამჭრელი საავიაციო რაკეტების კომპლექსები, მძლავრი სარადიოლოკაციო სადგურები, ჯარების მართვის ავტომატიზებული სისტემები და სხვადასხვა რადიოელექტრონული ტექნიკა. შეიქმნა საზენიტო სარაკეტო ჯარები და შენაერთები, რ-შიც შედის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების ყველა გვარეობის ნაწილები. ტ-ის ძირითად პრინციპად იქცა ბრძოლის მომზადება და წარმართვა საჰაერო მტრის გასანადგურებლად დასაცავი ობიექტების შორეულ მისადგომებზე. განსაკუთრებული როლი ენიჭება საჰაერო მტრის რადიოელექტრონულ საშუალებათა ჩახშობას.

სასაზღვრო ჯარების ტ. შეისწავლის სახელმწიფოს საზღვრების დაცვის მიზნით სასაზღვრო ჯარების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მოქმედების ხერხებს. ომის შემდგომ პერიოდში სასაზღვრო ჯარები განუწყვეტლად აღიჭურვებიან თვალთვალის, მანევრირებისა და სხვ. ახ. ტექ. საშუალებებით, თანამედროვე სასროლი იარაღითა და მართვის საშუალებებით, რაც სასაზღვრო ჯარების ტ-ის შემდგომი განვითარების საწინდარს წარმოადგენს. *ივ. შაიმშელაშვილი.*

ტაქტიკური მომზადება, პირადი შემადგენლობის, ქვეგანაყოფებისა და ნაწილების (ხომალდების), მათი მართვის ორგანოების სწავლება ბრძოლის მომზადებისა და გაძღოლისათვის. ტ. მ. საბრძოლო მომზადების უმნიშვნელოვანესი საგანია. მოიცავს ბრძოლის თეორიის, ჯარების ორგანიზაციის, მათი შეიარაღების, საბრძოლო შესაძლებლობების, მოქმედების ხერხებისა და ილეთების შესწავლას. ტ. მ. ჯარების საველე, საჰაერო და საზღვ. გაწვრთნილობის საფუძველია. ტ. მ-ის ფორმებია: ოფიცერთათვის — სემინარები, ჯგუფური ვარჯიშობა, მოკლე თათბირები ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად; შტაბებისათვის — საშტაბო ვარჯიშები, სამეთაურო-საშტაბო მეცადინეობები (რუკებსა და ადგილზე); ჯარებისათვის — ტაქტიკურ-სამწყობრო მეცადინეობები, ქვეგანაყოფების საბრძოლო სროლა, ტაქტიკური სწავლება.

ტაქტიკური სწავლება, ჯარების, მეთაურებისა და შტაბების საველე (საზღვაო) წვრთნისა და თანამედროვე ბრძოლისათვის მათი მომზადების ძირითადი

ფორმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო-საჯარისო ტ. ს., როცა სრული მოცულობით შეისწავლება ურთიერთმოქმედების საკითხები. ტ. ს. მოიცავს საბრძოლო მოქმედების რამდენიმე სახეს, შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი. ტარდება უმეტესად 1-იდან 5 დღე-ღამის განმავლობაში მონაწილეთათვის უცნობ ტერიტორიაზე, ზოგჯერ საბრძოლო სროლის ჩართვით. ტ. ს-ისას შეისწავლება მტრის განადგურებისა და საბრძოლო ტექ. გამოყენების ხერხები, მეთაურებსა და შტაბებს გამოუმუშავდებათ საბრძოლო ამოცანების მართებული განსაზღვრის, მათი შესრულების გამოცდილება და უნარი. ტ. ს. შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, საჩვენებელი, შესამოწმებელი და ა. შ. ჯარების წვრთნის ასეთ ფორმას ძვ. საქართველოს მხედრობის ისტორიაშიც ვხვდებით („ლაშქრობათა მეცადინეობანი", მეომრული წრთობა „ბრძოლითა და სწავლითა გვარიანად". ქც I, 351, 358).

ტაქტილური მგრძნობელობა (ლათ. tactilis — შეხებითი < tango — ვეხები), შეგრძნება, რ-იც წარმოიქმნება კანზე სხვადასხვაგვარი მექანიკური მოქმედების დროს. ტ. მ. დამოკიდებულია ზემოქმედების რაობაზე (შეხება, დაწოლა, ვიბრაცია—რიტმული შეხება). რეცეპტორები განლაგებულია კანსა და ლორწოვან გარსში. ტაქტილურ გამღიზიანებლებს აღიქვამენ კანის თავისუფალი ნერვული დაბოლოებები, ნერვული წნულები, პაჩინის სხეულაკები, მაისნერის სხეულაკები, მერკელის დისკოები და სხვ. (იხ. *რეცეპტორები, მექანორეცეპტორები*). კანის სხვა შეგრძნებებისაგან განსხვავებით, ტ. მ. სწრაფად კლებულობს — გამღიზიანებლის ხანგრძლივი მოქმედების შემთხვევაში ხდება ადაპტაცია. განსაკუთრებით სწრაფია ადაპტაცია შეხებასა და ვიბრაციაზე. დაწოლისადმი ადაპტაცია უფრო გვიან ხდება. ზედმიწევნით სპეციფიკურია ტუჩების, თითების, ენის, კანის ტ. მ., რადგან აქ თავმოყრილია მექანორეცეპტორთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა. ტ. მ-ს ახასიათებს ე. წ. „ლოკალურობის ნიშანი", ე. ი. ადამიანს ზუსტად შეუძლია განსაზღვროს შეხების ადგილი. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარჯიშების მაღალი ხარისხი, რის შედეგიც არის უსინათლო ადამიანთა დიდი მგრძნობელობა. *ა. ქორელი.*

ტაშირი, მხარე შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში; ქვემო ქართლის განაპირა ოლქი (ახლანდ. სომხ. სსრ სტეფანავანისა და კალინინის რ-ნების ტერიტ.). მოიცავდა მდ. დებედის მარცხ. შენაკადის — ტაშირისწყლის (ახლანდ. სახელწ. კამენკა) ხეობას. შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯისა და ბამბაკის მთებით. ცენტრი ოძუნი (შემორჩენილია VIII ს. ცენტრალურგუმბათიანი ტაძარი, აგებული იოანე ოძუნელის მიერ). წყაროებში პირველად მოხსენიებულია I ს-ში (პლინიუს უფროსი); ამ დროს ტ. თრიალეთთან ერთად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა; მომდევნო საუკუნეებშიც სომხ. სახელმწიფოს მოსაზღვრე ტ-ის სამთავრო ქართლის შემადგენლობაში იყო. პერიოდულად იგი საცილობელი ტერიტორია ხდებოდა. ტ-ზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები ჯავახეთის ახალაქალაქისა და აბოცისაკენ (ყარაღაჯის მთის გადაკვეთით), აგრეთვე სომხ. ქალაქებისაკენ (ბეზობდალის მთებით). X ს. დასასრ. და XI ს. დასაწყისში ტ. ახალწარმოქმნილი *ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს* იურისდიქციაში მოექცა, 1118-იდან კვლავ საქართველოს ტერიტ. ნაწილი — ამირსპასალარის კუთვნილი მიწა გახდა. X—XIII სს-ში ტ. ეწოდებოდა აგრეთვე მის მეზობელ ოლქებსაც; XI ს-ში კი, ლორის ციხის აგების შემდეგ, ტ-ის ცენტრი ლორეში გადავიდა და მხარეც ხშირად ლორედ იწოდება (იხ. აგრეთვე სტ. *ლორე*). გვიანდ. ფეოდ. ხანის წყაროებში სახელწ. „ტ." მხოლოდ პირვანდელი—ლოკალური შინაარსით იხმარება.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979. *დ. ბერძენიშვილი.*

ტაშირის სერი, მესხეთის ქედის აღმ. ბოლოს განშტოება, მდ-ებს ბანისხევსა და ლიკანისხევს შორის (მტკვრის მარცხ. შენაკადები). გამოეყოფა ლომისმთის ერთ-ერთ ტოტს. შუა ნაწილის მწვერვალის სიმაღლე 1654 *მ*. აგებულია ეოცენური ვულკანოგენური წყებით. შემოსილია ფოთლოვანი და წიწვიანი ტყით.

ლ. მარუაშვილი.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, სომეხ მმართველთა ფეოდალური სახელმწიფო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. შეიქმნა 978 ამიერკავკ. ხალხების არაბთა ბატონობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში. სამეფოს დამაარსებლის — გურგენის (978—989), იგივე კ ო რ ი კ ე ს, კ ვ ი რ ი კ ე ს სახელის მიხედვით, მას კვირიკიანების (იხ. *კვირიკიდები*) სამეფოსაც უწოდებენ.

ტ.-ძ. ს. განსაკუთრებით გაძლიერდა დავით უმიწაწყლოს მმართველობის ხანაში (989—1048), როცა სამეფოს ტერიტ. მნიშვნელოვნად გაფართოვდა თბილ. და განჯის საამიროთა ხარჯზე და კვირიკიანმა მეფეებმა ცნობილი ქართ. ციხე-სიმაგრე სამშვილდე თავის რეზიდენციად აქციეს. კვირიკე II-ის (1048—90) დროს სამეფოს ცენტრად იქცა ლორე. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიუხედავად, ტ.-ძ. ს. ჯერ ანისის სომხ. სამეფოს ვასალი გახდა, ხოლო შემდეგ საქართვ. მეფის ბაგრატ IV-ის მფლობელობაში მოექცა. დავით აღმაშენებელმა კი თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლებული ტ.-ძ. ს. უშუალოდ საქართველოს შემოუერთა (1118—22) და სომეხ ფეოდალ მმართველთა საგვარეულო გააუქმა. ისტ. ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართვ. განაპირა ნაწილი, სამართავად გადაეცათ სრულიად საქართვ. მხედართმთავრებს—ჯერ ორბელებს, ხოლო 1185-იდან — მხარგრძელებს.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979; მელიქსეთ-ბეგი ლ., ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფ., 1928; პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII—XI სს.), თბ., 1982. *გ. მაისურაძე.*

ტაშისკარი, სოფელი ხაშურის რ-ნში (ქვიშხეთის სოფსაბჭო), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 720 *მ*, ხაშურიდან 10 *კმ*. ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ქვიშხეთში (2 *კმ*). ბ-კა, კლუბი. 1609 სოფლის მიდამოებში ქართველთა ლაშქარმა გიორგი სააკაძის სარდლობით გაანადგურა ოსმალთა და ყირიმელ თათართა ლაშქარი (იხ. *ტაშისკარის ბრძოლა 1609*).

ტაშისკარის არხი, დ ო ღ ლ ა უ რ ი ს ა რ ხ ი, საინჟინრო სარწყავი სისტემა შიდა ქართლში. იწყება სოფ. ტაშისკართან, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, მიემართება აღმ-კენ, მერე უხვევს ჩრდ.-აღმ-კენ, სოფ. ზემო შაქშაქეთთან კვეთს მდ. აღმოსავლეთის ფრონეს და მთავრდება სოფ. ბრეთის მახლობლად. სიგრძე 62 *კმ*, წყლის ხარჯი 12,0 $მ^3/წმ$. მწყობრში ჩადგა 1959. რწყავს ხაშურისა და ქარელის რ-ნების სავარგულებს (10,4 ათ. *ჰა*). *ი. აფხაზავა.*


ტაშისკარის ბრძოლა 1609, ბრძოლა ქართლის სამეფოსა და ოსმალთა და ყირიმელ თათართა ლაშქარს შორის. 1609 ივნისში ქართლში შეიჭრა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, რ-მაც რამდენიმე სოფელი აოხრა და გაძარცვა, მოსახლეობის ნაწილი დაატყვევა და სწრაფად მიადგა მანგლისს. მტერმა აქედან გაჭრა სცადა სოფ. ცხირეთისაკენ (შიდა ქართლი), სადაც მეფე ლუარსაბ II ეგულებოდათ. *თეიმურაზ ქაიხოსრომა* მოატყუა მტერი და სხვა მიმართულებით წაიყვანა. ამასობაში ქართველებმა ლაშქარი შეკრიბეს და გ. სააკაძისა და ზ. ციციშვილის სარდლობით სოფ. ნიაბის (ახლანდ. კასპის რ-ნი) ბოლოს, სხერტის ჭალაზე, მტერი უკუაქციეს. გორისაკენ გაბრუნებულთ მდ. მტკვარზე ხიდი აყრილი დახვდათ; მაშინ ახალციხისაკენ იბრუნეს პირი. სოფ. ბრბონასთან მდ. მტკვარი გადალახეს და სოფ. ტაშისკართან (ახლანდ. ხაშურის რ-ნი) დაბანაკდნენ. ქართველთა ლაშქარი სოფ. ახალდაბასთან (ახლანდ. ბორჯომის რ-ნი) მდ. მტკვარზე გადავიდა და მტერს ახალციხისაკენ გასასვლელი გზა გადუჭრა. სამხ. თათბირზე გ. სააკაძის გეგმა მიიღეს და სარდლობაც მასვე დაავალა. ქართველთა ლაშქარი განთიადისას მთულოდნელად დაესხა თავს მტერს და თითქმის მთლიანად გაანადგურა, მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა გაქცევით თავს. ქართველებს დიდძალი ნადავლი და ტყვე დარჩათ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გ. სააკაძემ.

ლიტ.: გუჩუა ვ., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*


ტაშკენტი, უზბ. სსრ დედაქალაქი, ტაშკენტის ოლქის ცენტრი. სსრკ ერთ-ერთი დიდი სამრეწვ.-სატრანსპ. კვანძი, კულტ. ცენტრი. მდებარეობს რესპ. ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ტაშკენტის ოაზისში, მდ. ჩირჩიქის ხეობაში, 440—480 *მ* სიმაღლეზე. იანვ. საშ. ტემპ-რა —1,1°C, ივლ. 27,5°C. ნალექები 360—390 *მმ* წელიწადში. მოსახლ. რაოდენობით ტ. სსრკ-ის მეოთხე ქალაქია (მოსკ., ლენინგრ. და კიევის შემდეგ). 1992 ათ. მცხ. (1984; 1897 წ. — 156 ათ., 1926 წ. — 314 ათ., 1939 წ. — 556 ათ., 1959 წ. — 927 ათ., 1970 წ. — 1385 ათ.). ტ. იყოფა 10 საქალაქო რ-ნად.

ისტორიული ცნობა. ტ. სსრკ-ის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ისტ. წყაროებში პირველად იხსენიება (IV—V სს-ში) ჩაჩის (შაშის) სახელით. VI ს-ში ტ. შევიდა *თურქთა სახაკანოში*. VIII—IX სს-ში ქალაქს ერქვა ბინქენთი. VIII ს. დამდეგს დაიპყრეს არაბებმა. ტ-ის სახელწოდებით პირველად იხსენიება XI ს-ში. IX—X სს-ში შედიოდა სამანიდების სახელმწიფოში. XIII ს. დამდეგს ტ. ხელთ იგდო ხვარაზმის შაჰმა მუჰამად II ალაადინმა. XIV ს-ში ტ. დაიპყრო *თემურლენგმა*. XV ს. II ნახევარში შეუერთეს *ბუხარის სახანოს*. XVII—XVIII სს-ში დაიპყრეს ყაზახებმა და ყალმუხებმა. 1809 შევიდა *კოკანდის სახანოს* შემადგენლობაში. XIX ს. შუა წლებიდან რუსეთთან ვაჭრობის უდიდესი ცენტრია.

1865 შევიდა რუს. იმპერიის შემადგენლობაში. 1904—05 შეიქმნა ს.-დ. წრეები. 1904-იდან გავრცელდა ლენინური „ისკ-



ტაშკენტი. 14 თურქსტანელი კომისრის ძეგლი. გრა. ნიტი. 1962. მოქანდაკე დ. რიაბიჩევი; არქიტექტორები: ნ. მილოვიდოვი, ს. ოჟეგოვი.



ტაშკენტი. ხელოვნების სასახლე. 1962—64. არქიტექტორები ვ. ბერეზინი და სხვ.

რა". 1905—07 ტ. შუა აზიაში რევ. მოძრაობის ცენტრი იყო. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 1 (14) ნოემბ. 1918 აპრ-ში გახდა თურქესტანის ასსრ დედაქალაქი. 1924 შევიდა უზბ. სსრ შემადგენლობაში. 1930-იდან მისი დედაქალაქია. 1924 ტ-ის პროლეტარიატი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. ქალაქი დაჯილდოებულია აგრეთვე ლენინის ორდენით (1983).

ეკონომიკა. ტ-ში განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. სამრეწვ. საწარმოებიდან მნიშვნელოვანია: „ტაშსელმაში", „უზბეკხლოპკომაში", სატრაქტორო, ვ. ჩკალოვის სახ. საავიაციო, „უზბეკტექსტილმაში", საექსკავატორო, საინსტრუმენტო, „ტაშგაზოაპარატი", ელექტროტექ. და სხვა ქ-ნები. ტ. მსუბუქი მრეწვ. დიდი ცენტრია. ტ-ის საფეიქრო კომბინატი იძლევა რესპ. ბამბის ქსოვილების ძირითად ნაწილს. არის ზედა და საცვალი ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, კენაფის ფ-კები, ქიმ., საშენ მასალათა, კვების მრეწვ. სხვადასხვა დარგის საწარმოები. ენერგეტ. ბაზაა ჩირჩიქ-ბოზსუს კასკადის ჰესები და ტაშკენტის სრესი. მთავარი სარკინიგზო ხაზებია ტ. — ორენბურგ — მოსკოვი, ტ. — კრასნოვოდსკი. ტ-იდან სარკინიგზო ტოტები მიდის ქ. ანგრენსა და დაბა ჩარვაქში. საავტ. გზებიდან მთავარია უზბ. დიდი ტრაქტი (ტ. — თერმეზი), საერთაშ. და საკავშ. მნიშვნელობის ავიახაზები. განვითარებულია ქალაქის შიგა ტრანსპორტი. მეტროპოლიტენი.

არქიტექტურა. 1865-მდე ტ. ე. წ. ძვ. ქალაქის ფარგლებს არ შორდებოდა. განაშენიანებული იყო ბანიანი სახლებით. შემოინახა ბარაქ-ხანისა და ქუქელდაშის მედრესეები (ორივე — XVI ს.). შეიხანთაურისა და იუნუს-ხანის მავზოლეუმები (ორივე — XV ს., მოგვიანებით გადაკეთებულია) და სხვ. 1865-იდან ძვ. ქალაქის აღმ-ით ვითარდება რეგულარულად დაგეგმარებული ახ. ქალაქი. 1917 რევ. შემდეგ ტ. კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა. 1966 მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქის აღდგენაში დიდი მონაწილეობა მიიღეს მოძმე რესპუბლიკებმა. განაშენიანება მიმდინარეობს გენ. გეგმის მიხედვით (1970, ავტორთა კოლექტივები), შექმნილია ახ. ცენტრი, სადაც მთავარი ადგილი უჭირავს ლენინის მოედანს (1966—72, არქიტ. ბ. მეზენცევი და სხვ.). მოედანზე მდებარეობს უზბ. სსრ მთავრობის სახლი (1931—32, არქიტ. ს. პოლუპანოვი, რეკონსტრუქცია — 1951—55, არქიტ. ს. როზენბლიუმი) და სხვა ადმ. შენობები. აქვე დგას ლენინის ძეგლი (გრანიტი, 1974, მოქანდაკე ნ. ტომსკი, არქიტ. ს. ადილოვი) და სხვ. თანამედროვე შენობათაგან აღსანიშნავია ა. ნავოის სახ. ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრი (1938—47, არქიტ. ა. შჩუსევი), სპორტის სასახლე „საიუბილეო" (1970, არქიტ. გ. ალექსანდროვიჩი და სხვ.). შენდება ახ. მიკრორაიონები.

კულტურული მშენებლობა. 1983 ტ-ში იყო 540-ზე მეტი სკოლამდელი დაწესებულება (100 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი), ყველა სახის 350-მდე ზოგადსაგანმან. სკოლა (300 ათ-მდე მოსწ.) და 26 სკოლისგარეშე დაწესებულება, 30-ზე მეტი სშ. სპეც. სასწავლებელი (45 ათ-მდე მოსწ.), 20-ზე მეტი პროფტექ. სასწავლებელი (16 ათ-ზე მეტი მოსწ.), 19 უმაღლესი სასწავლებელი (130 ათ-ზე მეტი სტუდენტი); *მეცნიერებათა აკადემია უზბეკეთის სსრ-ისა* და მისი ინ-ტების უმრავლესობა, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამეცნ.-კვლ. დაწესებულება; 200-ზე მეტი მასობრივი ბ-კა, ა. ნავოის სახ. უზბ. სსრ სახელმწ. ბ-კა და სხვ., 10-მდე მუზეუმი და გამოფენა, 9 თეატრი, ცირკი, კინოსტუდია „უზბეკფილმი", 160 საკლუბო დაწესებულება, 145-ზე მეტი კინოდანადგარი და სხვ.; 7 გამომცემლობა; უზბ. საბჭ. ენციკლოპედიის რედაქცია; გამოდის 13 რესპ., 2 საქალაქო გაზეთი, არის რესპ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი, ტელეცენტრი. უზბ. დეპეშათა სააგენტო და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვა. 1982 ტ-ში იყო 82 საავადმყოფო დაწესებულება (22,8 ათ. საწოლი, 14,3 საწოლი 1 ათ. მცხ-ზე), 214 საექიმო ამბულ.-პოლიკლინიკა, 16 სან.-ეპიდ. სადგური; მუშაობდა 11,3 ათ. ექიმი (1 ექიმი 141 მცხოვრებზე) და 20,7 ათ. სამედ. მუშაკი; 12 სამედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, 16 სანატორიუმი, 1 დასასვენებელი სახლი. ბალნეოლ. კურორტი — ტაშკენტის მინერალური წყლები (ტ-იდან 20 *კმ*).


ტაშკენტის დეკლარაცია 1966, ხელმოწერილია პაკისტანის პრეზიდენტის მ. აიუბ-ხანისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრის შეხვედრის შედეგად, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის ა. კოსიგინის მონაწილეობით. შეხვედრა მოეწყო 1966 წ. 4—10 იანვ. სსრკ-ის ინიციატივით, რ-მაც შესთავაზა თავისი *„კეთილი სამსახური" ქაშმირის* გამო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმულ პაკისტანსა და ინდოეთს. ტ. დ-მ დასახა კონფლიქტის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებანი და შექმნა საფუძველი ინდოეთსა და პაკისტანს შორის არსებული სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის.

პუბლ.: Ташкентская декларация, «Правда», 1966, 11 янв.

ტაშკენტის ოლქი, შედის უზბ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1938 წ. 15 იანვ. მდებარეობს რესპ. ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ფართ. 15,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 3874 ათ. კაცი ქ. ტაშკენტის ჩათვლით (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 72%. ცენტრი — ქ. ტაშკენტი. ოლქის ჩრდ.-აღმ. და აღმ. ნაწილი მთიანია. ტერიტ. უმეტესი ნაწილი სამხრ.-ით და სამხრ.-დას.-ით წარმოადგენს მთისწინა ვაკეს, რ-იც დახრილია მდ. სირდარიისაკენ. ოლქი მდებარეობს მაღალი სეისმურობის ზონაში. მთავარი მდ-ებია სირდარია და მისი შენაკადები ჩირჩიქი და აჰანგარანი. ენერგეტიკის ბაზაა ბუნებრივი აირი, მურა ნახშირი (ანგრენის საბადო) და ჰიდროენერგორესურსები. არის დიდი თეცები. ტაშკენტის სრესი, ანგრენის სრესი, ჩირჩიქ-ბოზსუს ჰესების კასკადი. აგებულია სარწყავი არხები, წყალსატევები. განვითარებულია მანქანათმშ., შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმ., სამენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფ. მეურნეობაში მისდევენ მებამბეობას, მებაღეობას, მებაღჩეობას, მევენახეობას და სხვ. მოჰყავთ. ბამბა, კენაფი, ქერი, ხორბალი, ბრინჯი, კარტოფილი, ბოსტნეული, ვაშლი, ალუბალი, ყურძენი და სხვ. მეცხოველეობა სახორცე-სარძეო მიმართულებისაა. მსხ. რქ. საქონლის სულადობით ტ ო. მესამე ადგილზეა რესპუბლიკაში. აშენებენ ღორს, ცხვარს, თხას, ცხენს, ფრინველს. სარწყავ ზონაში განვითარებულია მეაბრეშუმეობა. ტაშკენტში დიდი აეროპორტია. ავიახაზებით დაკავშირებულია სსრკ-ისა და აზიის დიდ ქ-ებთან.

ოლქი დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით (1959, 1970).

ტაშკენტის უნივერსიტეტი ვ. ი. ლენინის სახელობისა, პირველი საბჭ. უნ-ტი შუა აზიასა და ყაზახეთში. დაარსდა 1918 როგორც სახ. უნ-ტი, 1920-იდან — თურქესტანის, 1923-იდან — შუა აზიის სახელმწ. უნ-ტი ერქვა; 1954 მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი; 1960-იდან ტ. უ. ჰქვია. 30-იანი წწ. დასაწყისში ტ. უ-ის ბაზაზე შეიქმნა სას.-სამ., პედ., სამედ., პოლიტექ. ინ-ტები. 1983 ტ. უ-ის შემადგენლობაში იყო მათ., გამოყენებითი მათ. და მექან., ფიზ., ქიმ., ბიოლ.-ნიადაგების, გეოლ.-გეოგრ. ისტ., ფილოლ., აღმოსავლეთმცოდნეობის, რომანულ-გერმ. ფილოლ., ჟურნალისტიკის, იურიდ., შუა აზიისა და აფრ., ლათ. ამერ. ქვეყნების მოქალაქეებისათვის მოსამზადებელი ფაკ-ტები; საღამოს, დაუსწრებელი და მოსამზადებელი განყ-ბები, ასპირანტურა, 109 კათედრა, 14



პრობლემური ლაბორატორია, გამოთვლითი ცენტრი, 6 სასწ. მუზეუმი, ბოტან. ბაღი, ჰერბარიუმი; სამეცნ. ბ-კა (2,5 მლნ. ტ.); უნ-ტთან დაარსებულია შუა აზიის უმაღლესი სასწავლებლების საზ. მეცნ. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინ-ტი და უმაღლესი სასწავლებლების მათ., ფიზ., ქიმ., ბიოლ., უზბ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკ-ტები; **ტ.** უ-ში სწავლობდა 15 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 1,5 ათ. პროფესორ-მასწავლებელი, მ. შ. 70 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 600 მეცნ. კანდიდატი და დოცენტი. უნ-ტი გამოსცემს „სამეცნიერო შრომებს" (1945-იდან). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1970).

ტაშტაგოლი, ქალაქი რსფსრ კემეროვოს ოლქში, მთიან შორიაში, მდ. კონდომის (ტომის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური. იღებენ რკინის მადანს და აწვდიან ქ. ნოვოკუზნეცკის მეტალ. საწარმოებს. საღამოს სამთო-მეტალ. ტექნიკუმი.

ტაშტახტი, უელეტეხილი არსიანის ქედზე, გოდერძის უელეტ. სამხრ-ით, მდ. ხირხატისწყლის (სხალთის ერთ-ერთი შემადგენელი) სათავეში. სიმაღლე 2291 *მ*. ტ-ის მიდამო აგებულია პალეოგენური ტუფ-ბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებითა და ანდეზიტური განფენებით. კალთები შემოსილია სუბალპ. ბალახეულით.

დ. უკლება.

ტაშტიყულარი (ყოფ. ძეძვნარიანი), სოფელი ბოლნისის რ-ნში (არახლოს სოფსაბჭო), მდ. მაშაველრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 430 *მ*, ბოლნისიდან 12 *კმ*, ფოლადაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. არახლოს მეკარტოფილეობა-მებრძეველის საბჭო. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

ტაციტუსი პუბლიუს კორნელიუს (Publius Cornelius Tacitus) (ჯახლ. 55—116), ცნობილი რომაელი მწერალი, ისტორიკოსი. პროვინციელი არისტოკრატიის წარმომადგენელი, *აგრიკოლას* სიძე. 88 იყო პრეტორი, 97 კონსული, 112/113 აზიის პროკონსული, 80-იანი წლებიდან ქურუმთა კოლეგიის წევრი. თხზულება „აგრიკოლა" სიმამრის სახელის განსაღიდებლად დაწერა. „გერმანია" გერმ. ტომების საზ. წყობილების, რელიგიისა და ყოფის მიმოხილვაა. დაწერილი აქვს აგრეთვე „დიალოგი ორატორთა შესახებ", ხოლო ისტ. თხზულებებმა „ისტორია" და „ანალები". ტ-ს საუთო აღიარება და მსოფლიო სახელი მოუპოვეს. „ისტორიაში" გადმოცემულია 69—96 რომის იმპერიის ისტორია. ფიქრობენ, რომ 14 წიგნისაგან შედგებოდა; ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ 1-ელი-მე-4 წიგნები და მე-5 წიგნის დასაწყისი (69—70 ამბები). „ანალებზე" ტ. სიკვდილამდე მუშაობდა, მაგრამ დასრულება მაინც ვერ მოასწრო, გადმოცემული აქვს 14—68 ამბები. 16 წიგნიდან მთლიანად შემორჩენილია 1-ელი—მე-4 და მე-12—მე-15 წიგნები, ხოლო მე-7 — მე-10 წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ტ. გამოირჩევა ფაქტების ზუსტი, სხარტი და ცოცხალი გადმოცემით; იყენებს პოეტურ გამოთქმებს (ვერგილიუსისა და პორაციუსის ნაწარმოებებიდან). კარგად იცნობს წყაროებს და კრიტიკულად უდგება მათ. გამოირჩევა ფილოს. და ღრმა ფსიქოლ. ანალიზით. ქადაგებს მაღალ ზნეობას და ზიზღით ეკიდება ყოველგვარ მანკიერებას. მისი აზრით, სახელმწიფოს კეთილდღეობა კანონებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მოქალაქეთა ზნეობრივ სიწმინდეზე. ტ-თვის, როგორც ისტორიკოსისათვის, დამახასიათებელია ისტ. დიალექტ. გაგება.

თხზ.: P. Cornelii Taciti libri que supersunt. Ed. E. Koestermann, Bd. 1—2, Lipsiae, 1961—62.

ტაძარი, საკულტო ნაგებობა ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესასრულებლად. ტ-ის სახე და მისი განვითარების ისტორია განპირობებულია არა მარტო საკულტო მოთხოვნილებებით, არამედ სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის განვითარების დონით და შესაბამისად ატარებს მკვეთრად გამოხატულ ეროვნ. ხასიათს. სსრკ-ში ტ-ებს, რ-ებიც წარმოადგენენ ეროვნ. არქიტ. ძეგლებს, სახელმწიფო იცავს.

ძვ. ქართულ ძეგლებში ტ. გვხვდება როგორც უფლის (ღმერთის) სახლის, სამლოცველო სახლის (ეკლესია), ისე უფლის (მეფე, მთავარი) რეზიდენციის, სასახლის, მნიშვნელობით, ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა — ეზო, პალატი, დარბაზი, სასახლე, სადგომი. მეფის ან მთავრის სასახლესთან იყო მუდმივად მყოფი სამხ.-სამეურნეო მსახურეულ პირთა შტატი — *ტაძრეული.*

ქ. ჩხატარაიშვილი.

ტაძრეული, ტაძრობილი, მეფის ან მთავრის კარის არათავისუფალი მსახურეული პირი, „შინაური" ძვ. საქართველოში. ფეოდალიზაციის პროცესში ტ-თა რიგებს შეემატნენ არისტოკრ. წრის წარმომადგენლები. ძვ. ტ-თა ზედაფენაც ფეოდალებად იქცა და ჩამოყალიბდა მეფის კარზე მუდმივად მყოფი მსახურეული პირების წრე— იგივე „დარბაზის ერი", „ერი პალატისა", „შინაურნი". ტ-ებს შეადგენდნენ მაღალი რანგისა და სახელოს მფლობელი ტ. აზნაურები, არათავისუფალი მსახურეული პირები — დომენის წვრილი ე. წ. „ხელით" აზნაურები და მსახურები. XI—XV სს-ში ტ-ები *ეჯიბის* ხელქვეითნი იყვნენ. მაღალი რანგის ტ-ად „დაწესება" საგანგებო ცერემონიალით ხდებოდა. ტ-ები შეადგენდნენ „მუდმივ ჯარს მეფის კარზე" (ნ. ბერძენიშვილი), მეფის ძირითად სამხ. დასაყრდენს. დას. ევროპაში ტ-ს შეესატყვისებოდა „პალატინი".


ლიტ.: ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979.

ქ. ჩხატარაიშვილი.

ტაძრისი, სოფელი ბორჯომის რ-ნში, ბორჯომის ხეობაში, ციხისჯვრის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. საკირულის (მტკვრის აუზი) მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., დგუარი, საკირე). ზ. დ. 1280 *მ*, ბორჯომიდან 24 *კმ*. მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ტახი, იხ. *გარეული ღორი.*

ტახინი (Tajin), პირობითი სახელი მექსიკის უძველესი ქალაქისა, რ-ის ნანგრევები მდებარეობს ვერაკრუსის შტატის ცენტრ. ნაწილში, პაპანტლის სამხრ.-აღმ-ით. 8 *კმ*-ზე. არქეოლ. გათხრების (მიმდინარეობს 1934-იდან) შედეგად დადგინდა, რომ ახ. წ. I ათასწლ. ტ. იყო ტოტონაკების ცივილიზაციის ცენტრი. მდებარეობდა ხეობაში (959 ჰა). ქალაქის სარიტუალო-ადმ. ცენტრი მდებარეობდა ხეობის დაბლობ ნაწილში (დაახლ. 60 ჰა), სადაც აღმართულია მრავალიარუსიანი (18 *მ* სიმაღლის) „ნიშებიანი პირამიდა" ანუ პირამიდა „ელ ტახინი". სავარაუდოა, რომ ტ. აღმოცენდა ახ. წ. IV ს-ში და იარსებს XIII ს-მდე.



ტახინი, „ნიშებიანი პირამიდა".

ტახო, ტეჟუ (ესპ. Tajo, პორტუგ. Tejo), მდინარე ესპანეთსა და პორტუგალიაში, უდიდესი პირენეს ნ.-კ-ზე. სიგრძე 1010 *კმ*, აუზის ფართ. 81,0 ათ. *კმ*². სათავე აქვს უნივერსალესის მთებში. კეთს ახალი კასტილიის ზეგანს, შემდეგ მიედინება პორტუგ. დაბლობზე, ერთვის ატლანტის ოკეანეს და აჩენს ესტუარს, უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წყალუხვია ნოემბრიდან აპრ-მდე. წყლის საშ. ხარჯი ესპ. და პორტუგ. საზღვართან 438 $მ^3/წმ$. ტ-სა და მის შენაკადებს იყენებენ სარწყავად და ენერგეტიკისათვის. სანაოსნოა 185 *კმ*. ტ-ს ნაპირებზეა ქ-ები: ტოლედო (ესპანეთი), სანტარენი (პორტუგალია), ესტუარში — პორტუგ. დედაქალაქი ლისაბონი.

ტახტა, მთა ალევის ქედზე, მდ. გონდოლის (მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 2444 *მ*. აგებულია ზედაცარცული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კონგლომერატებით. კონუსური ფორმისაა. შემოსილია სუბალპ. მცენარეულობით.

ს. ნემსაძე.

ტახტაჯიანი არმენ ლეონის ძე [დ. 28. V (10. VI). 1910, შუშა, ახლანდ. მთიანი ყარაბაღის ავტონ. ოლქი], ბოტანიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1972), სომხ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1971). სკკპ წევრი 1946-იდან. 1932 დაამთავრა სუბტროპ. კულტურების საკავშ. ინ-ტი (თბილისი). მისი უმთავრესი ნაშრომები ეხება უმაღლესი მცენარეების სისტემატიკის, ევოლ. მორფოლ. და ფილოგენიის, ყვავილოვანი მცენარეების წარმოშობის, ფიტოგეოგრ., პალეობოტ. საკითხების შესწავლას. ტ-მა დაამუშავა უმაღლესი მცენარეების სისტემა და ყვავილოვანი მცენარეების დაწვრილებითი სისტემა, შემოგვთავაზა ორგ. სამყაროს სისტემის ვარიანტი. შექმნა მცენარეთა მორფოლოგებისა და სისტემატიკოსების სკოლა. მისი რედაქციით და მონაწილეობით გამოვიდა „სომხეთის ფლორა" (ტ. 1—6, 1954—73) „მცენარეთა სამყარო" (ტ. 1 — 6, 1974 — 82) და სხვ. საკავშ. ბოტან. საზ-ბის (1973-იდან), ბიოლ. მეცნ. საერთაშ. კავშირის ბოტან. განყ-ბისა (1975-იდან) და მცენარეთა ტაქსონომიის საერთაშ. ასოციაციის (1975-იდან) პრეზიდენტი. სხვადასხვა ქვეყნის მეცნ. აკადემიებისა და სამეცნ. საზ-ბების წევრი. სსრკ მეცნ. აკად. ვ. კომაროვის სახ. პრემია (1969), სსრკ სახელმწ. პრემია (1981). დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Происхождение и расселение цветковых растений, Л., 1970; Растения в системе организмов, წგნ.: Жизнь растений, т. 1, М., 1974.

ტახტის მემკვიდრეობა, სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი. ცნობილია ტ. მ-ის წესები: მეფის არჩევა, მეფის მიერ თავისი მემკვიდრის წინასწარ შერჩევა, გარდაცვლილი მეფის უახლოესი მემკვიდრის მეფედ კურთხევა.

საქართველოში კლასობრივი საზ-ბის ადრინდ. ეტაპზე მეფედ ჩვეულებრივ იმას დასვამდნენ ხოლმე, ვინც სამეფო საგვარეულოში წინამორბედი მეფის ყველაზე მახლობელი ნათესავი და წლოვანებით უხუცესი იყო. გაერთ. ფეოდ. საქართველოში კი, როგორც წესი, ტ. მ. პირმშოობას ემყარებოდა. თუ მეფეს მხოლოდ ასული ჰყავდა, იგი „ძედ" და მემკვიდრედ ითვლებოდა. ქართვ. მეფეებს მემკვიდრე ხშირად თავიანთ სიცოცხლეშივე აჰყავდათ ტახტზე „თანამოსაყდრედ". მეფე ქალი ტახტზე მამაკაცის უფ-



ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 572
II. სახელმწიფო წესწყობილება 572
III. ბუნება 572
IV. მოსახლეობა . . . 673
V. ისტორიული ნარკვევი 673
VI. ტაჯიკეთის კომუნისტური პარტია . . 674
VII. ტაჯიკეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი 675
VIII. პროფესიული კავშირები 675
IX. სახალხო მეურნეობა 675
X. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 676
XI. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებანი 676
XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია . . . 676
XIII. ლიტერატურა . . 676
XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 677
XV. მუსიკა 678
XVI. ბალეტი 678
XVII. დრამატული თეატრი 678
XVIII. კინო 678

ლებებით სარგებლობდა, ტახტის მემკვიდრეს თავის გვარს აძლევდა, ხოლო მის ქმარს საკუთარი გვარის, ე. ი. ახ. დინასტიის დამკვიდრების უფლება აღკვეთილი ჰქონდა.

ლიტ.: ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956, გვ. 140; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929.

გ. ნადარეიშვილი.

ტახტისძირი, სოფელი ქარელის რ-ნში (დვანის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 710 *მ*, ქარელიდან 18 *კმ*. დვანის კოლ-ბა (მეხილეობა, მებოსტნეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

ტახუმულკო (Tajumulco), მოქმედი ვულკანი გვატემალაში. სიმაღლე 4217 *მ* (ცენტრ. ამერ. უმაღლესი მწვერვალი). წარმოადგენს ორმწვერვალიან სწორ კონუსს. კრატერი (დიამეტრი 50—70 *მ*) მთავარ (აღმ.) კონუსზეა. კალთები შემოსილია მუხნარ-ფიჭვნარით, ზევით ქსეროფიტული მთის მდელოა. უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა 1863 (?).

ტაჯიკები (საკ. სახელწ. — თოჯიქ), ერი, ტაჯ. სსრ ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. სსრკ-ში 5950 ათ. კაცი (1979 აღწერა), აქედან ტაჯ. სსრ-ში ცხოვრობს 2237 ათ., უზბ. სსრ-ში — 595 ათ., ყირგ. სსრ-ში — 23 ათ. საზღვარგარეთ ცხოვრობენ ძირითადად ავღანეთსა (დაახლ. 2 მლნ.) და ირანში. ლაპარაკობენ *ტაჯიკურ ენაზე*, რ-იც ინდოევრ. ენების დას. ირან. ჯგუფს განეკუთვნება. მორწმუნენი მუსლიმანები არიან (ძირითადად სუნიტები, ნაწილი — შიიტები), პამირისპირა ტ. — ისმაილიტები).

ტაჯიკი ხალხი ჩამოყალიბდა ძვ. წ. II ათასწლ. ბოლოსა და I ათახწლ. დასაწყისში ევრაზიის ველებიდან შუა აზიაში შემოჭრილი ირანულენოვანი ტომებისა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადგილ. ტომების შერწყმის შედეგად.

ტ. ჩამოყალიბდნენ ბაქტრიის, სოღდის, ფერღანის ველისა და ახლანდ. შუა აზიის სამხრ-ით მდებარე ოლქში, სადაც მოსახლეობდნენ ბაქტრიელები, სოღდელები, ფარქანები (ძვ. ფერღანელები), საკები. სოღდელთა თანამედროვე შთამომავლებად ითვლებიან იაღნობები, საკებისა — პამირისპირა ტ. ძვ. წ. II ს-ში ბაქტრიაში შეიჭრნენ ტოხარები, რ-თა შემადგენლობაში საკებიც შედიოდნენ. საკებისა და ტოხარების ერთმა შტომ შექმნა ქუშანების სამეფო, რ-ის დასუსტებამ გამოიწვია ველის ახ. ტომების — ეფტალიტების შემოჭრა IV—V სს-ში. მათ შექმნეს ვრცელი სახელმწიფო, რ-იც ეხრძოდა სასანიანთა ირანს. VI ს-ში თურქთა სახაკანოს შექმნას მოჰყვა თურქ. ეთნ. ელემენტის გამძლავრება.

IX—X სს-ში სასანიანთა სახელმწიფოს შექმნით დასრულდა ტ-ის ეთნ. ბირთვის შექმნა, ტაჯიკური გაბატონებულ ენად იქცა: X ს. ბოლოს შუა აზიაში პოლიტ. ძალაუფლება თურქულენოვანი ხალხების ხელში გადავიდა. თურქთა, შემდეგ მონღოლთა ახალ-ახალი ტალღები შეიჭრა ბინადარ ტაჯიკ მოსახლეობაში და დაიწყო მრავალსაუკუნოვანი გათურქების პროცესი (ძირითადად დაბლობ ადგილებში, ნაკლებად მთაში და დიდ ქ-ებში). 1868 წ. ტაჯ. ჩრდ. რ-ნები შეივიდნენ რუს. შემადგენლობაში. სამხრ. ნაწილი ფეოდ. ბუხარის საამიროს ძალაუფლებაში დარჩა. ეკონომიკაში, სოც. ურთიერთობებში, ყოფაში, განსაკუთრებით სამხრ. რ-ნებში, შემორჩა ფეოდ.-პატრიარქალური წესები. ჩრდ-ით გაჩნდა კაპიტალ. ურთიერთობის ელემენტები. ტ. ძველთაგანვე მისდევდნენ სარწყავ მიწათმოქმედებას, მებაღეობას, დამხმარე ადგილი ეჭირა მესაქონლეობას. განვითარებული იყო ხელოსნობა.

ტაჯიკეთში ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა ოქტ. რევ. შემდეგ. ამიერიდან იგი განვითარებული ინდუსტრიის, ინტენს. სოფ. მეურნ., მაღალი კულტ. სოციალ. რესპუბლიკად იქცა. იხ. სტ. *ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.*

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (Республикаи Советии Социалистии Тоҷикистон), ტაჯიკეთი.

I. ზოგადი ცნობები

ტაჯ. ასსრ შეიქმნა 1924 წ. 14 ოქტ. უზბ. სსრ-ის შემადგენლობაში. 1929 წ. 16 ოქტ. იგი გადაკეთდა ტაჯ. სსრ-ად, 1929 წ. 5 დეკ-იდან საბჭ. კავშირის შემადგენლობაშია. მდებარეობს შუა აზიის სამხრ.-აღმ. ნაწილში. ჩრდ-ით და დასით ესაზღვრება უზბ. სსრ და ყირგ. სსრ, აღმ-ით — ჩინეთი, სამხრ-ით — ავღანეთი. ფართ. 143,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 4365 ათ. კაცი (1984). დედაქალაქი — დუშანბე. ტ-ის შემადგენლობაში შედის მთიანი ბადახშანის აო, 3 ოლქი (ქულაბის, ყურღანთეფის და ლენინაბადის), 18 ქალაქი და 49 დაბა.

II. სახელმწიფო წესწყობილება

ტაჯ. სსრ სუვერენული სოციალ. საერთო-სახალხო სახელმწიფო, მოკავშირე საბჭ. სოციალ. რესპუბლიკაა, რ-იც შედის სსრკ შემადგენლობაში. მოქმედი კონსტიტუცია მიიღო ტაჯ. სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ 1978 წ. 14 აპრილს. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ტაჯ. სსრ ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო (ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით). მის კომპეტენციაში შედის კანონების მიღება, ტაჯ. სსრ მინისტრთა საბჭოს — რესპუბლიკის სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოს (მთავრობის) შექმნა და სხვ. ტაჯ. სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს თავის მუდმივმოქმედ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს — ტაჯ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სახელმწ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებია: ოლქების, ავტონ. ოლქების, რ-ნების, ქ-ების, ქალაქის რ-ნების, დაბებისა და სასოფლო დასახლ. პუნქტების (ყიშლაღების) სახ. დეპუტატთა საბჭოები, რ-ებსაც ირჩევს მოსახლ. ორ-ნახევარი წლის ვადით. მართლმსაჯულებას ახორციელებს ტაჯ. სსრ უმაღლესი სასამართლო, საოლქო სასამართლოები, მთიანი ბადახშანის ავტონ. ოლქის სასამართლო, დუშანბეს საქალაქო სასამართლო, რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოები. ტაჯ. სსრ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის გენ. პროკურორი 5 წლის ვადით. სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში ტაჯ. სსრ წარმოდგენილია 32 დეპუტატით.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

III. ბუნება

ტ. მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტ. 93% უკავია მთებს, რ-ებიც ტიან-შანის, ჰისარ-ალაისა და პამირის სისტემებს განეკუთვნება. ტერიტ. თითქმის ნახევარი 3000 *მ*-ზე მაღლა მდებარეობს. ვაკეებს უკავია ხეობების გაფართოებული ადგილები და მთათაშუა ქვაბულები.

რესპ. უკიდურეს ჩრდ. ნაწილშია ყურამის ქედი (სიმაღლე 3769 *მ*-მდე, მწვ. ბობოიობი) და მოღოლთაუს მთები (სიმაღლე 1624 *მ*-მდე), რ-ებიც ტიან-შანის სისტემაში შედის; სამხრ-ით ფერღანის ქვაბულის დას. ნაწილია, რ-იც ვიწრო გასასვლელით უერთდება მშიერ სტეპს. ტ-ის ცენტრ. ნაწილი უკავია ჰისარ-ალაის მთათა სისტემას. ალაის ქედის (სიმაღლე 5539 *მ*-მდე) დას-ით განშტოებულია თურქესტანის (სიმაღლე 5509 *მ*-მდე), ზარაფშანისა (სიმაღლე 5489 *მ*-მდე) და ჰისარის ქედები; ტ-ის სამხრ.-დას. ნაწილში შედარებით დაბალი (სიმაღლე 2300 *მ*-მდე) ქედებია, რ-თა შორის 300—400-იდან 1200 *მ* სიმაღლეზეა ჰისარის, ვახშისა და სხვა ხეობები. ტ-ის აღმ. ნაწილი პამირის ფარგლებშია (კომუნიზმის პიკი, 7495 *მ*; ლენინის პიკი, 7134 *მ*). დას. პამირს ახასიათებს ვიწრო ქედები, რ-ებიც ერთმანეთისაგან ღრმა და ვიწრო ხეობებითაა გამოყოფილი. მთისძირი 1700—1800 *მ* სიმაღლეზეა, ხოლო მწვერვალები 6000 *მ*-ზე მეტს აღწევს. აღმ. პამირში 3700—4200 *მ* სიმაღლეზე ვრცელი ქვაბულები და ფართო ხეობებია, რ-ებზედაც აღმართულია 1000—1500 *მ* შეფარდებითი სიმაღლის დამრეცკალთებიანი ქედები.

პამირსა და ჰისარ-ალაიში აღმოჩენილია სტიბიუმის, ვერცხლისწყლის, დარიშხანის, ბორის, პიეზოკვარცის, მთის ბროლის, ოპტიკური ფლუორიტის, ისლ. შპატის, ლაზურიტის, კეთილშობილი შპანელის, ოქროს, ვოლფრამის მადნის საბადოები; ყურამის ზონაში — პოლიმეტალების, იშვიათი ლითონების, შველიტის, ქვანახშირის საბადოები; ტაჯ. და ფერღანის დეპრესიებში — ნავთობი, აირი, ქვანახშირი, საწვავი ფიქლები, ქვამარილი, საშენი მასალა. ტ. მდიდარია მინერ. წყაროებით.

პავა კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპრაა 2, —2°C-იდან (ხეობებსა და მთისწინეთში) — 20°C-მდე (პამირში). ტემპრის აბსოლ. მინიმუმი —63°C აღწევს (პამირში). ივლ. საშ. ტემპ-რა შესაბამისად 30-იდან 0°C-მდე. ტემპ-რის აბსოლ. მაქსიმუმი 48°C (ქვედა ფანჯი). ჰისარის ქედის სამხრ. კალთებზე ნალექები 1600 *მმ*-მდეა წელიწადში, ხოლო აღმ. პამირში — 72 *მმ*. თოვლის მიჯნა ჰისარ-ალაის მთებში მდებარეობს 3800 *მ*-იდან (დას. და სამხრ.-დას-ით) 4200—4400 *მ*-მდე (ჩრდ.-აღმ-ით), პამირში — 4000 *მ*-იდან (ჩრდ.-დას-ით) 5200 *მ*-მდე (აღმ. რ-ნებში). თანამედროვე გამყინვარების საერთო ფართობია 8470 *კმ*². გამყინვარების უდიდესი ცენტრები ჩრდ. და დას. პამირშია (ფედჩენკოს მყინვარი — სიგრძე 77 *კმ*, ფართ. 907 *კმ*²). ჰისარ-ალაიში უდიდესია ზარაფშანის მყინვარი (სიგრძე 25 *კმ*-მდე, ფართ. 41 *კმ*²).

მდინარეთა ქსელი არათანაბარია. თითქმის ყველა მდინარე ამუდარიის, სირდარიისა და ზარაფშანის აუზს განეკუთვნება. ამუდარიის აუზს რესპ. ფართობის 3/4 უკავია. ტ-ის ფარგლებში ამ აუზს განეკუთვნება მისი შემადგენელი მდ-ები ფანჯი და ვახში თავისი შენაკადებით და მდ. ქაფარნიჰანი. სირდარიის აუზს განეკუთვნება მდ-ები ისფარა, ხოჯაბაქირგანი, ყარასუ, აქსუ. ტ-ის ტერიტორიაზე მდ. ზარაფშანის მხოლოდ ზემო დინებაა. მდ-ებს იყენებენ სარწყავად და ჰიდროენერგიის წყაროდ. ჰიდროენერგიის აბსოლ. მარაგით ტ-ს სსრკ-ში II ადგილი უკავია (რსფსრ-ის შემდეგ). ტბებიდან უდიდესია ყარაქოლი. აევრია ხელოვნური ტბა-წყალსაცავი.

ვაკეზე და დაბალმთიანეთში რუხი ნიადაგებია; მთის საშ. ზონაში — მთის ყავისფერი, უფრო მაღლა — მდელოსტეპის, სტეპისა და უდაბნო-სტეპის; ტ-ში უმაღლესი მცენარეების 5 ათ-ზე მეტი სახეობა ხარობს. ჭარბობს ბალახოვანი და ბუჩქბალახოვანი მცენარეულობა. ტ-ის ჩრდ. და სამხრ.-დას. ნაწილის ვაკეები (სიმაღლე 500 *მ*-მდე) უდაბნოს სარტყელს განეკუთვნება. 500—700 *მ*-ზე მაღლა ეფემეროიდული მცენარეულობა ხარობს, მთისწინეთში (700—900 *მ* სიმაღლეზე) — მსხვილმარცვლოვანი, ეფემეროიდული მცენარეულობა. საშუალმთიანეთი (1200-იდან 2800 *მ*-მდე) ხე-ბუჩქნარს უკავია. ტ-ში ხეებისა და ბუჩქების 150-ზე მეტი სახეობაა. ჰისარის, პეტრე პირველისა და დარვაზის ქედების ტენიანი კალთები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყითა და

ბუჩქნარით. პამირზე ხემცენარეულობა მხოლოდ დას. ნაწილსა და ხეობებში გვხვდება. მაღალმთიან სარტყელში გავრცელებულია მაღალი მთის მდელოები, მდელოსტეპი, სტეპი და გაუდაბნოებული სტეპი.

ტ-ის თანამედროვე ფაუნაში ძუძუმწოვართა 81, ფრინველთა 365, ქვეწარმავალთა 49, თევზების 40-მდე და მწერების 7—8 ათ. სახეობაა.

IV. მოსახლეობა

მოსახლ. უმრავლესობას ტაჯიკები შეადგენენ (2237 ათ. კაცი, 1979, აღწერა), ცხოვრობენ აგრეთვე უზბეკები (873 ათ.), რუსები (395 ათ.), თათრები (80 ათ.), ყირგიზები (48 ათ.), გერმანელები (39 ათ.), უკრაინელები (36 ათ.), ებრაელები (15 ათ.), თურქმენები (14 ათ.) და სხვ.

ტ-ის მოსახლ. სწრაფი ტემპით იზრდება (ძირითადად ბუნებრივი ნამატის ხარჯზე; I ადგილი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის). საშ. სიმჭიდროვეა 30,6 კაცი 1 კმ²-ზე (1984). სიმაღლებრივი სარტყლების მიხედვით მოსახლ. ძალზე არათანაბრადაა განაწილებული. 85%-ზე მეტი თავმოყრილია ხეობებსა და მთათაშუა ქვაბულებში 1600 მ სიმაღლემდე, ჩრდ-ით და სამხრ-ით ხეობების ვაკე ნაწილებში 50—100, ზოგან 150 კაცი ცხოვრობს 1 კმ²-ზე, მთიან რ-ნებში — 5—10 კაცი, ხოლო პამირზე — 2 კაცზე ნაკლები. მოსახლ. 34% ქალაქში ცხოვრობს. მთავარი ქ-ებია დუშანბე (530 ათ. მცხ., 1983), ლენინაბადი (143 ათ.), ქულაბი (62 ათ.), ყურღანთეფა, ხოროგი, ნურაქი, ყაირაქყუმი.

V. ისტორიული ნარკვევი

პირველყოფილი თემური წყობილება. ტ-ის ტერიტ. უძველესი დროიდან იყო დასახლებული. ჩრდ. და სამხრ. ტ-ში აღმოჩენილია ქვემო *პალეოლითის* ძეგლები. ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ტ-ში ცხოვრობდა ორი სხვადასხვა ხალხი, რ-ებიც დაახლოებული იყვნენ ყაირაქყუმის კულტ. მქონე და სამხრ. თურქმ. და წინა აზიის ბრინჯაოს ეპოქის ძეგლების შემქმნელ ხალხთან.

ადრეკლასობრივი წყობილება (ძვ. წ. VIII—VII სს. — ახ. წ. VI ს.). ძვ. წ. VIII—VII სს-ში ტ-ის ტერიტორიაზე დაიწყო სოც. და ქონებრივი დიფერენციაცია. ტ-ის ტერიტ. შეადგენდა სოლდისა და ბაქტრიის სახელმწიფოთა ორგ. ნაწილს. ძვ. წ. VI—IV სს-ში ტ. დაიპყრო ირანმა, ძვ. წ. 329 — ალექსანდრე მაკედონელმა. ძვ. წ. 329—327 მოხდა აჯანყება დამპყრობთა წინააღმდეგ სპიტამენის მეთაურობით. ძვ. წ. IV—III სს-ში ტ-ის ტერიტ. ნაწილი შედიოდა *სელევკიდების*, ხოლო III—II სს-ში — *ბერძნულ-ბაქტრიულ სამეფოში*. ქუშანურ პერიოდში (იხ. *ქუშანის სამეფო*) გრძელდებოდა მონათმფლობელურ ურთიერთობათა განვითარება. ახ. წ. პირველ საუკუნეებში მოქმედებდა სარწყავი არხების დიდი სისტემა, მაღალ დონეს მიაღწია საქალაქო ცხოვრებამ და ხელოსნობამ, გაცხოველდა ვაჭრობა, რასაც მოწმობს ტ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომის იმპერიის, ინდ. და სხვ. მონეტები. ნაპოვნია ბერძნ. საფუძველზე შექმნილი ქუშანური დამწერლობის ცალკეული ძეგლები. ტ-ში ამ დროს ინდოეთიდან გავრცელდა *ბუდიზმი*, ირანიდან *მანიქეიზმი*, ძირითად რელიგიად კი რჩებოდა *ზოროასტრიზმი*. მონათმფლობელობის კრიზისი აისახა მაზდაკელთა მოძრაობასა და *აბრუის* აჯანყებაში. შუა აზიის აღმ. ნაწილი ამ დროს დაიპყრეს ქიონიტების, შემდეგ კი — ეფტალიტების ტომებმა.

ტ. ფეოდალიზმის ეპოქაში (VI ს. — XIX ს. I ნახ.). VI ს-ში თურქთა ტომებისა და ეფტალიტების ბრძოლა *თურქთა საბაკანოს* გამარჯვებით დამთავრდა. VII ს-ში ფეოდ. ურთიერთობათა განვითარების შედეგად დაიწყო ეკონ. აღმავლობა. კულტ. დიდ ცენტრს წარმოადგენდა ფენჯიქენთი. VIII ს. შუა წლებში ტ-ში შემოიჭრნენ არაბები, რ-თა წინააღმდეგ დაიწყო აჯანყებები. ყველაზე შეუპოვარი და ხანგრძლივი იყო *მუკანას აჯანყება*. VIII ს. 70—80-იან წლებში დამკვიდრდა ისლამი. დროებით შეფერხდა შუა აზიის ხალხების ეკონ. და კულტ. განვითარება. IX—X სს-ში ტ. შედიოდა ტაჰირიდებისა და *სამანიდების სახელმწიფოებში*. ამ პერიოდში დამთავრდა ტაჯიკი ხალხის ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. ერთ-ერთი ადგილ. დიალექტის ბაზაზე შეიქმნა ტაჯ. ენა. X—XII სს-ში განვითარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მათგან დამზადებულ ნაკეთობათა გატანა სხვა ქვეყნებში. განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია სოფ. მეურნეობამ, ხელოსნობამ. გაფართოვდა საქარავნო ვაჭრობა აზიის, ევრ. ქვეყნებთან, აგრეთვე რუსეთთან. ამ დროს მოღვაწეობდნენ სპარს.-ტაჯ. ლიტ-რის დამფუძნებელი *რუდაქი*, გამოჩენილი პოეტი *ფირდოუსი*, მეცნიერი და მწერალი *იბნ სინა*, დიდი გეოგრაფი ბირუნი და სხვ. კლასობრივი ბრძოლა, გამოწვეული ფეოდ. საზ-ბის წინააღმდეგობათა გაღრმავებით, მჟღავნდებოდა რელიგ. საფარველით მომხდარ აჯანყებებსა და მოძრაობებში. *ჩინგიზ-ყაენისა* და მისი შვილების ლაშქრის შემოსევას ტ-მა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია (ბრძოლა თემურ-მელიქის მეთაურობით ხოჯენდში, აჯანყება ბუხარაში 1238 და სხვ.). მონღოლებმა ეს აყვავებული მხარე უდაბნოდ აქციეს და მშრომელთა მძიმე მდგომარეობა თათარ-მონღოლთა უღელმა კიდევ უფრო გააუარესა. XIV ს. II ნახევარში დაწინაურდა *თემურლენგი*, რ-მაც მძარცველური ომებით შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო (დედაქალაქი სამარყანდი). მის შემადგენლობაში შევიდა ტაჯიკებით დასახლ. მიწებიც. თემურის შთამომავლების დროს მაღალ დონეს მიაღწია ხელოვნებამ, მეცნიერებამ, ლიტ-რამ. XVIII ს. შუა წლებში წარმოიქმნა *კოკანდის სახანო*. ბუხარის სახანო დაიპყრო ირანმა, მაგრამ მალე განთავისუფლდა. XIX ს. I ნახევარში ტ-ის ტერიტ. გაიყო კოკანდისა და ბუხარის სახანოებს შორის. ტ-ში, ფეოდ. წყობილების მიუხედავად, არსებობდა მონობა და მონათა ბაზრები. ტ-ში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მიწის მფლობელად ითვლებოდა ფეოდალი. სახელმწ. მიწებთან ერთად არსებობდა დიდი სას. ფეოდალების — იშანების მიწები, რელიგ. დაწესებულებების მიწები — ვაკუფები. მოსაბეღლეობას მიწით სარგებლობისათვის ახდევინებდნენ ხარაჯას ანუ მეათედს. დეჰყანები მიწას მემკვიდრეობით გადასცემდნენ და ყიდდნენ კიდეც, თუმცა შარიათის მიხედვით მესაკუთრენი არ იყვნენ. დიდი გავლენით სარგებლობდა მუსლ. სას. წოდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ხალხთა კულტ. განვითარებაზე. სკოლა (მექთები) მთლიანად სას. წოდების ხელში იყო. მედრესეების — უმაღლესი რელიგ. სკოლების სასწ. პროგრამა თითქმის მთლიანად ღვთისმეტყველების სქოლასტიკაზე იყო აგებული.

ტ-ის შეერთება რუსეთთან. ტ-ის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. II ნახევარში. რუს. კაპიტალიზმის განვითარება მოითხოვდა ბაზრების გაფართოებას, განსაკუთრებით ხამი ბამბის ახ. ფართობების ათვისებას. რუს.-ინგლ. მეტოქეობამ გააქტიურა ცარიზმის მოქმედება შუა აზიაში. 1866 მეფის ჯარებმა დაიკავეს ხოჯენდი, ურათეფა, სამარყანდი. 1868 რუსეთსა და ბუხარას შორის დაიდო ხელშეკრულება, რ-ის თანახმად რუს. არმიის მიერ დაკავებული ყველა ტერიტ. შევიდა რუს. იმპერიაში. 1895 რუს.-ინგლ. შეთანხმებით დადგინდა საზღვარი აღლანეთთან მდ. ფანჯზე. თანამედროვე ტ-ის სამხრ.-დას. და ცენტრ. ნაწილი დარჩა ბუხარის სახანოში. დანარჩენი შევიდა სამარყანდისა და ფერღანის ოლქებში. რუსეთთან შეერთებას დიდი პროგრ. მნიშვნელობა ჰქონდა. დაიწყო ტაჯიკი და რუსი ხალხების დაახლოება. გაძლიერდა ეკონ., პოლიტ. და კულტ. კავშირები. 1869 და 1872 ხოჯენდში გაიხსნა ორთქლის მანქანებით აღჭურვილი ორი აბრეშუმსახვევი ფ-კა, დეგმაში — მინის ქ-ნა, დაიწყო სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება და ა. შ. 1886 შემოღებულმა მიწათმოწყობამ შექმნა კაპიტალ. ურთიერთობის წარმოშობის პირობები მიწათმოქმედებაში. მეორე მხრივ, რუსეთთან შეერთებით ტ-ის მოსახლ. აღმოჩნდა ორმაგ ჩაგვრაში, გაიზარდა გადასახადები, ბეგარა, ღალა, გახშირდა აჯანყებები. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1880-იანი წწ. შუა ხანებში მომხდარი აჯანყება, რ-საც გლეხი ვოსე ხელმძღვანელობდა და ათასობით გლეხი მიემხრო. აჯანყების ჩაქრობა ემირმა მხოლოდ ჯარების დახმარებით შეძლო. ვოსე სიკვდილით დასაჯეს.



ტაჯიკეთის სსრ. ალაის შტოქედები.

ტ. იმპერიალიზმისა და რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების დროს (1900—17 წწ.). XX ს. დასაწყისში ჩრდ. ტ-ში ხამბა ბამბამ განდევნა დანარჩენი კულტურები სარწყავი მიწებიდან. განვითარდა მეცხვარეობა რ-ნების სპეციალიზაციამ დაარღვია ფეოდ. კარჩაკეტილობა და ხელი შეუწყო სასაქონლო მეურნ. განვითარებას. მრეწვ. განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა ადგილ. ბურჟუაზია და პროლეტარიატი. 1905—07 რევოლუციამ რუსეთში უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შუა აზიის ეროვნ. განმათ. მოძრაობაზე. რევ. დამარცხების შემდეგ გაძლიერდა ეროვნ. და სოც. ჩაგვრა რუს. განაპირა მხარეებში. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს მკვეთრად გაიზარდა ხამი ბამბის გაზიდვა, ხოლო პურისა და სამრეწვ. პროდუქციის შემოზიდვა თითქმის შეწყდა. 1916 მოუსავლიანობამ წარმოშვა შიმშილის საფრთხე, გაიზარდა გადასახადები და ბეგარა, რამაც გამოიწვია შუა აზიის აჯანყება. მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს — 3 ათ. კაცი სასამართლოს გადასცეს, 300 სიკვდილით დასაჯეს. თებ. რევ. უშუალო ზეგავლენით, 1917 წ. 3(16) მარტიდან დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად მუსლიმანი დეპუტატებისა და მშრომელი მუსლიმანების კავშირის შექმნა. 1917 წ. 31 მარტს თურქესტანის საგენერალგუბერნატორო გაუქმდა. ხელისუფლება დროებითი მთავრობის თურქესტანის კომიტეტის ხელში გადავიდა. 17 აპრ. ხოჯენდში შეიქმნა დროებითი მთავრობის აღმ. კომიტეტი, ოლქებსა და მაზრებში დაინიშნენ კომისრები.



ტაჯიკეთის სსრ. ტბა ისქანდერქოლი.

ტ. თქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში (1917—23 წწ.), საბჭ. ხელისუფლება ტ-ში დამყარდა 1917 ნოემბერში, 1918 თებ-ში ზოხდა სამრეწვ. საწარმოთა, ქვანახშირის მაღაროების, „სანტოს" ნავთობსარეწებისა და სხვ. ნაციონალიზაცია. 1918 თებ. ხოჯენდის საბჭომ შექმნა მიწისა და წყლის კომისია, რამაც ხელი შეუწყო საბჭ. ხელისუფლების პოპულარობის ზრდას. საბჭ. ხელისუფლება პამირზე დამყარდა 1918. ჩრდ. ტ-ის ტერიტ. შევიდა თურქესტანის ასსრ შემადგენლობაში. ბუხარაში ხელისუფლება ისევ ემირს ეკუთვნოდა. 1918 ნოემბ. შეიქმნა ბუხარის კომპარტია (ბკპ). 1920 ბკპ IV ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. 1920 ჩარჯოუში გაიმართა შეიარაღე-

ტაჯიკეთის კპ ყრილობები

I	6—15 ივნ.	1930
II	7—14 იანვ.	1934
III	16—27 აგვ.	1937
IV	7—14 ივნ.	1938
V	22—27 თებ.	1939
VI	13—17 მარტი	1940
VII	20—27 დეკ.	1948
VIII	19—20 სექტ.	1952
IX	18—20 იანვ.	1954
X	26—29 იანვ.	1956
XI	14—16 იანვ.	1958
XII	14—15 იანვ.	1959
XIII	4— 6 თებ.	1960
XIV	21—23 სექტ.	1961
XV	25—26 დეკ.	1963
XVI	2— 3 მარტი	1966
XVII	18—19 თებ.	1971
XVIII	27—28 იანვ.	1976
XIX	23—25 იანვ.	1981

ტაჯიკეთის ალკკ ყრილობები

I	28 ნოემბ.—7 დეკ.	1930
II	28 აგვ.- 3 სექტ.	1932
III	10—16 თებ.	1936
IV	20—28 ნოემბ.	1937
V	10—17 მაისი	1939
VI	30—სექტ.—1 ოქტ.	1940
VII	24—26 დეკ.	1946
VIII	19—22 იანვ.	1949
IX	13—15 სექტ.	1950
X	16—17 მარტი	1952
XI	29—31 იანვ.	1954
XII	9—10 თებ.	1956
XIII	5— 6 მარტი	1958
XIV	10—11 მარტი	1960
XV	25—26 იანვ.	1962
XVI	6— 7 იანვ.	1964
XVII	15—16 თებ.	1966
XVIII	15—16 თებ.	1968
XIX	26—27 თებ.	1970
XX	3— 4 მარტი	1972
XXI	27—28 თებ.	1974
XXII	24—25 თებ.	1978
XXIII	2— 3 აპრ.	1982

ბულმა აჯანყებამ. ადგილ. რეკომმა დახმარება სთხოვა რსფსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს თურქესტანის კომისიას (თავრე შ. ელიავა). სექტ-ში ბუხარის წითელმა რაზმებმა და წითელი არმიის ნაწილებმა განდევნეს ემირი. 8 ოქტ. გამოცხადდა ბუხარის სახ. საბჭ. რესპუბლიკის შექმნა (ბსსრ). ბუხარის სახანოში არ იყო კაპიტალ. მრეწველობა და პროლეტარიატი, ამიტომ რევ. შემდეგ იქ დამყარდა არა სოციალ., არამედ სახ.-დემოკრ. წყობილება. აპრილში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა აღმ. ბუხარის მთელ ტერიტორიაზე. 1921 წ. 6 აგვ. წითელი არმიის ნაწილები, ხელშეკრულების თანახმად, გაიყვანეს ბსსრ ტერიტორიიდან. ამით ისარგებლა *ბასმაჩობამ*, რ-ის სოც. დასავრდენი იყო მუსლ. სას. წოდება — ბაები და დეკლასირებული, ფანატიზმით შეპყრობილი ელემენტები. 1921 დასასრ. თურქ. ყოფ. სამხ. მინისტრი ენვერ-ფაშა სათავეში ჩაუდგა აღმ. ბუხარის კონტრრევოლუციურ ბანდებს, რ-ებსაც აქტ. დახმარებას უწევდნენ უცხ. იმპერიალისტები. 1922 ენვერ-ფაშას ბანდამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭ. ხელისუფლებას ბუხარაში და მთელს შუა აზიაში. რკპ (ბ) ცკ-ის 1922 წ. 18 მაისის დადგენილებით გადამწყვეტი ზომები მიიღეს ბასმაჩთა ბანდების ლიკვიდაციისათვის; მხოლოდ იბრაჰიმ-ბეგის დიდი ბანდა განაგრძობდა მოქმედებას 1926 შუა თვეებამდე.

1922 რკპ (ბ) ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ბუხარის რესპუბლიკისათვის აღმოეჩინა ყოველმხრივი სამხ. და ეკონ. დახმარება. ბუხარის მშრომელები განთავისუფლდნენ სას.-სამ. გადასახადისაგან, დეპუტატებს მიეცათ სესხი მეურნეობის აღსადგენად. 1923 მარტში შეიქმნა შუა აზიის ეკონ. საბჭო და ამით უფრო რაციონალურად იქნა გამოყენებული მატერ.-ტექ. და ფინანს. შესაძლებლობანი. სოციალ. საზ-ბის მშენებლობაზე გადასვლა რესპუბლიკაში 1924 დაიწყო და 1940 დამთავრდა.

ტ. სოციალისტური მშენებლობის პერიოდში (1924—40 წწ.). 1924 წ. 19 სექტ. სრულიად ბუხარის ხურალის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ბუხარის სახ. საბჭ. რესპ. ბუხარის საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად გარდაქმნისა და მისი სსრ კავშირის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ (29 სექტ.), ხოლო 14 ოქტ. სრულიად რუს. ცაკის სესიამ დაამტკიცა თურქესტანის ცაკის გადაწყვეტილება ტაჯ. ასსრ შექმნის შესახებ უზბ. სსრ შემადგენლობაში. შუა აზიის ეროვნ.-სახელმწ. გამიჯვნა საბჭ. სოციალ. რესპუბლიკებად საბოლოოდ დაამტკიცა სსრკ ცაკმა 1924 წ. 27 ოქტომბერს.

ტაჯ. ასსრ ჩამოყალიბდა თურქესტანისა და ბუხარის რ-ნების ბაზაზე. ახალგაზრდა ტ-ის რესპ. კაპიტალ. ურთიერთობის განვითარების გვერდის აყვლით დაადგა სოციალიზმის მშენებლობას. დაიწყო ელექტროსადგურების მშენებლობა დუშანბეში, ხოჯენდში და სხვ. 1929—32 აშენდა 17 დიდი საწარმო. მხარის ეკონ. და კულტ. განვითარებამ დააჩქარა ტაჯ. ასსრ-ის ტაჯ. სსრ-ად გარდაქმნა. 1929 წ. 15—19 ოქტ. სრულიად ტ-ის III საგანგებო საბჭოების ყრილობამ მიიღო დეკლარაცია ტაჯ. ასსრ-ის ტაჯ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე და მისი სსრკ შემადგენლობაში შეყვანის შესახებ. 1931 წ. 24 თებ. საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა ტაჯ. სსრ კონსტიტუცია.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალ. მშენებლობა. 1933—37 სამრეწვ. საწარმოთა რაოდენობა 60-იდან 209-მდე გაიზარდა, ჩამოყალიბდა მუშათა კლასი, შეიქმნა პარტ., საბჭ. და სამეურნეო ადმ. ეროვნ. კადრი. სსრ კავშირის მოძმე რესპ. ძმური დახმარებით ტაჯ. სსრ-ში ძირითადად აშენდა სოციალიზმი, ტაჯიკი ხალხი სოციალ. ერად ჩამოყალიბდა, ტაჯ. სსრ კონსტიტუცია (1937) დამტკიცდა.

ტ. დიდი სამამულო ომის (1941—45), ომის შემდგომ და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნის წლებში. ტ-ის მშრომელები სხვა საბჭ. მოძმე ხალხებთან ერთად აღდგნენ სოციალ. სამშობლოს დასაცავად. ომის პირველ თვეებში ტ-ში ევაკუირებულ იქნა მრავალი ქ-ნა და ფ-კა, რ-ებმაც უმოკლეს დროში დაიწყეს პროდუქციის გამოშვება. ტ-ის მშრომელებმა ავიაესკადრილიის „საბჭოთა ტაჯიკეთის" და სატანკო კოლონის „ტაჯიკეთის კოლმეურნის" ასაგებად საკუთარი დანაზოგი 119,2 მლნ. მანეთი შეაგროვეს. მრეწვ. და სოფ. მეურნ. 100 ათ-ზე მეტი მოწინავე დაჯილდოვდა ომის დროს ორდენებითა და მედლებით. ტ-იდან გაწვეული მეომრები იბრძოდნენ მოსკოვთან, სტალინგრადთან, მონაწილეობდნენ უკრ., ბელორ. და ბალტიისპირეთის განთავისუფლებაში, ფაშისტური გერმ. და იმპერიალ. იაპ. განადგურებაში. მათგან 49-ს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. 14 მებრძოლი გახდა დიდების ორდენის სრული კავალერი, 50 ათ-ზე მეტი დაჯილდოებულია სსრკ ორდენებითა და მედლებით.

IV ხუთწლედში (1946—50) სამრეწვ. წარმოება ომამდელთან შედარებით 1,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო ხამი ბამბის წარმოება — 17-ჯერ. 1955 მრეწვ. საერთო პროდუქცია 1940 შედარებით 2,8-ჯერ გაიზარდა, ელექტროენერგიისა — 4,8-ჯერ. მკვეთრად ამაღლდა ხამი ბამბის მოსავალი. მებამბეობისა და სახ. მეურნ. სხვა დარგებში დიდი წარმატებებისათვის ტ. 1956 წ. 22 დეკ. ლენინის ორდენით დაჯილდოეს. 60-იან წლებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა შეუდგა განვითარებული სოციალ. საზ-ბის პერიოდში, ტ-ში შეიქმნა ახ. დარგები: მანქანათმშენებლობა, ელექტროქიმ. და ქიმ. მრეწველობა. სახ. მეურნ. წამყვან დარგად იქცა მრეწველობა.

1982 გაიმართა ტ. სსრ უმაღლესი საბჭოს X მოწვევის მე-2 სესია, რ-მაც განიხილა რესპ. სოც.-ეკონ. განვითარების მრავალი საკითხი. 1982 ეროვნ. შემოსავალი 1981 შედარებით 1,2%-ით გაიზარდა. მუშა-მოსამსახურეთა ყოველწლიურმა მატებამ 2,6% შეადგინა. 1982 სამრეწვ. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102%-ით შესრულდა. ამავე წელს მწყობრში ჩადგა დაახლ. 20 ახ. სამრეწვ. ობიექტი. 1983 წ. 1 იანვ-თვის ტ. სსრ-ში იყო 159 კოლ-ბა, 279 საბჭ. მეურნეობა, 91 სამეურნეობათაშორისო საწარმო და ორგანიზაცია. 80-იან წლებში გაფართოვდა რესპ. კულტ.-ეკონ. თანამშრომლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან.

1972 წ. 29 დეკ. ტაჯ. სსრ სახ. მეურნ. განვითარებაში მიღწეული წარმატებებისა და სსრკ-ის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოეს ხალხთა მეგობრობის ორდენით. 1974 წ. 29 ნოემბ. ტ-ის რესპ. და ტ-ის კომუნისტური პარტიის შექმნის 50-წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქტ. რევ. ორდენით.

ლიტ.: История таджикского народа, т. 1—3, М., 1963—65; Дриккер Х. Н., Формирование классов социалистического общества в Таджикистане, Душ., 1983.

VI. ტაჯიკეთის კომუნისტური პარტია

ტ-ის კომუნისტური პარტია სკკპ შემადგენელი ნაწილია. პირველი ს.-დ. ჯგუფები ჩრდ. ტ-ში შეიქმნა 1905—07 რევ. დროს. 1917 დასასრ. და 1918 დასაწყისში ბოლშევიკური ორგანიზაციები გაჩნდა ხოჯენდში (ახლანდ. ლენინაბადი), ურათეფაში, ფენჯიქენთში, შურაბსა და სხვა. ადგილებში. 1918 გაზაფხულზე თანამედროვე ტ-ის რ-ნებში 7 ბოლშევიკური ორგანიზაცია იყო, რ-იც 170 წევრს ითვლიდა. ბუხარის საემიროში სახ. რევ. გამარჯვებისა (1920) და აღმ. ბუხარაში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921), ბუხარის კომუნისტური პარტიის ცკ-მა (შეიქმნა 1918 ნოემბ.) დააფუძნა ცენტრ. საორგანიზაციო ბიურო, 1923 ივნ-ში კი — ცკ-ის საორგანიზაციო ბიურო აღმ. ბუხარაში, რ-მაც იარსება ტაჯ. ასსრ შექმნამდე.

შუა აზიის საბჭ. რესპუბლიკების ეროვნ.-სახელმწ. გამიჯვნის შემდეგ შეიქმნა უზბ. კპ(ბ) ცკ-ის ორგანიზაციული ბიურო ტაჯ. ასსრ-ში, რ-მაც ჩამოაყალიბა ტ-ის საოლქო პარტიული ორგანიზაცია. 1927 წ. 21—27 ოქტ. შედგა I საოლქო პარტ. კონფერენცია, რ-ზეც აირჩიეს უზბ. კპ(ბ) ტაჯ. საოლქო კომიტეტი. საკ. კპ(ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობით ტ-ის პარტ. ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ტაჯიკი ხალხის ბრძოლას *ბასმაჩობის* წინააღმდეგ, სამოქალაქო ომით დანგრეული სახ. მეურნ. აღსადგენად, პირველი სამრეწვ. საწარმოების ასაგებად და კულტ. კერების შესაქმნელად. 1929 საკ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით უზბ. კპ (ბ) ტაჯ. საოლქო ორგანიზაცია გარდაიქმნა ტ-ის კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა), რ-იც შედგებოდა 7 სამხარეო პარტ. ორგანიზაციისა და მთიანი ბადახშანის აო პარტორგანიზაციისაგან. 1930 წ. 6—15 ივნ. დუშანბეში შედგა ტ-ის კპ (ბ) I ყრილობა. ტ-ის კპ (ბ) ხელმძღვანელობდა მშრომელი მასების ბრძოლას სოციალიზმის ასაშენებლად. ომის წინა ხუთწლედებში განხორციელდა სოციალ. ინდუსტრიალიზაცია, სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია, კულტ. რევოლუცია, მოისპო ტაჯიკი ხალხის ეკონ. და კულტ. უთანასწორობა. ტ-ის კპ (ბ) იბრძოდა *ტროცკიზმის*, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, ბურჟ. ნაციონალიზმის ყოველგვარი ნაირსახეობის, ნაციონალ. გადმონაშთების, რელიგ. ცრურწმენების წინააღმდეგ.

დიდი სამამულო ომის (1941—45) პერიოდში ტ-ის კპ(ბ) ყურადღების ცენტრში იყო ჯარის ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბება და მომზადება, მასობრივი თავდაცვითი მუშაობის ჩატარება მოსახლეობაში, არმიისა და ფრონტის უზრუნველყოფა ყოველივე აუცილებლით მტრის განადგურებლად. ომის წლებში ტ-ის კპ (ბ)-მ ფრონტზე გაგზავნა თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ტ-ის კპ(ბ) ხელმძღვანელობით მთელი სახ. მეურნეობა უმოკლეს დროში გარდაიქმნა სამხ. ყაიდაზე. ტ-ის კპ(ბ) მოღვაწეობის გაუმჯობესებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა საკ. კპ (ბ) ცკ-ის დადგენილებებმა 1942 წ. 7 ოქტ. — „ტაჯიკეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების მუშაობის შესახებ" და 1944 წ. 13 დეკ. — „ტაჯიკეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ". ახორციელებდა რა საკ. კპ (ბ) გადაწყვეტილებებს, ტ-ის კპ (ბ)-მ მიაღწია საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას, პარტ.-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას და სხვ. ომის წლებში ტ-ის ცკპ (ბ) რიგებში შევიდა 17024 კაცი.

ომის შემდგომ პერიოდში ტ-ის კპ მუშაობა მიმართული იყო სახ. მეურნ. შემდგომი განვითარებისა და სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისტური მშენებლობის გაშლისაკენ განვითარებული სოციალიზმის პირობებში. რესპ. კომუნისტების საბრძოლო პროგრამად იქცა სკკპ XX—XXVI ყრილობების გადაწყვეტილებანი, სკკპ ცკ-ის 1982 ნოემბ. პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებანი. ტ-ის კპ მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცკ-ის 1968 წ. 17 დეკ. დადგენილებას „სკკპ XXIII

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ". ხელმძღვანელობდა რა ამ დოკუმენტით, ტ-ის კპ-ს აამაღლა პარტ. ხელმძღვანელობის დონე რესპ. ეკონ., კულტ და საზ. ცხოვრებაში. ტ-ის კპ რიგებში 1984 წ. 1 იანვ-თვის ირიცხებოდა 113018 წევრი და 5528 წევრობის კანდიდატი (5007 პირველადი პარტ. ორგანიზაცია).

VII. ტაჯიკეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი

ტ-ის ალკკ საკ. ალკკ შემადგენელი ნაწილია. პირველი კომკავშირული უჯრედები შეიქმნა ტ-ის ჩრდ. რ-ნებში 1918, ცენტრ. და სამხრ. რ-ნებში კი — ბუხარაში სახ. რევ. გამარჯვების შემდეგ. ტ-ის კომკავშირი იქმნებოდა სპეციფ. პირობებში. მუშა-ახალგაზრდობის ფენა უმნიშვნელო იყო და კომკავშირი შედგებოდა ძირითადად უწიგნური გლეხი ახალგაზრდობისაგან. 1925 წ. 27 ოქტ. დუშანბეში გაიხსნა სრულიად ტაჯ. კომკავშირის კონფერენცია, რ-მაც აირჩია უზბ. ალკკ ტაჯ. საოლქო კომიტეტი. ტ-ის კომკავშირი აქტიურად მონაწილეობდა საბჭ. ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში, *ბასმაჩობის* განადგურებაში. ტ-ის კომკავშირი იყო რესპ. ყველა დიდი მშენებლობის ორგანიზატორი. მან დიდი წვლილი შეიტანა კულტ. რევ. განხორციელებასა და განსაკუთრებით უწიგნურობის ლიკვიდაციაში. 1930 ტაჯ. საოლქო კომკავშირული ორგანიზაცია გარდაიქმნა ტ-ის ალკკ-ად დიდი სამამულო ომის დროს ტ-ის 40 ათ. კომკავშირელი მონაწილეობდა ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში, აქედან 20-მდე ახალგაზრდას მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის შემდგომ ათწლეულებში ტ-ის ალკკ აქტიურად მონაწილეობდა სახ. მეურნ. შემდგომ განვითარებაში, ჯამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. 1975 ნოემბ-ში ტ-ის ალკკ დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1984 წ. 1 იანვ-თვის ტ-ის ალკკ რიგებში ირიცხებოდა 672161 წევრი.

VIII. პროფესიული კავშირები

ტ-ის პროფკავშირები სსრკ პროფკავშირების შემადგენელი ნაწილია. პირველი პროფორგანიზაცია ტ-ის ტერიტორიაზე შეიქმნა 1917 თებ. რევ. შემდეგ. თურქესტანის კპ II ყრილობამ (1918 დეკ.) მიიღო დადგენილება „პროფესიული კავშირებისადმი დამოკიდებულების შესახებ" და მოუწოდა რესპ. პარტ. ორგანიზაციებს დიდი ყურადღება დაეთმოთ პროფკავშირების შექმნისათვის. სამოქალაქო ომის წლებში ტ-ის პროფკავშირები ხელს უწყობდნენ მშრომელთა მობილიზაციას თეთრგვარდიელებისა და ბასმაჩობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მონაწილეობდნენ წითელი არმიისა და მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბებაში. სოციალიზმის მშენებლობის წლებში ტ-ის პროფკავშირები პარტ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სოციალ. გარდაქმნებში და ინდუსტრიალიზაციაში, სოფ. მეურნ. კოლექტივიზაციაში, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის კადრების მომზადებასა და აღზრდაში, კულტ. რევ. განხორციელებაში. დიდი სამამულო ომის წლებში ტ-ის პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს რესპ. მეურნეობის სამხ. ყაიდაზე გარდაქმნისათვის. ომის შემდგომ პერიოდში რესპ. პროფკავშირები მონაწილეობდნენ ეკონ. და კულტ. შემდგომ განვითარებაში. ტ-ის პროფკავშირები ახორციელებენ სახელმწ. და საზ. კონტროლის ფუნქციებს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექ. შრომის კანონმდებლობის დარღვევაზე; იჩენენ ზრუნვას მუშათა, მოსამსახურეთა და სოფ. მეურნ. მუშაკების შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, ატარებენ დიდ აღმზრდელობით მუშაობას. 1984 წ. 1 იანვ-თვის ტ-ის პროფკავშირებში ითვლებოდა 1367305 ათ. წევრი.

IX. სახალხო მეურნეობა

ზოგადი დახასიათება. თანამედროვე ტ. ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკაა. საბჭ. ხელისუფლების წლებში შეიქმნა მრავალდარგიანი მრეწველობა. 1983 მრეწვ. პროდუქციის მოცულობა 1940-თან შედარებით 20-ჯერ გაიზარდა, ნედლი ბამბის წარმოება — 5,2-ჯერ. სსრკ სახ. მეურნ. კომპლექსში ტ. გამოირჩევა, პირველ რიგში, როგორც მებამბეობის, აგრეთვე ფერადი და იშვიათი ლითონების მადნის მომპოვებელი ერთ-ერთი მთავარი რ-ნი. საკავშ. მნიშვნელობა აქვს აბრეშუმის, ბამბეულის, ხალიჩების, ზეთსახდელ, საკონსერვო, ღვინის მრეწველობას. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებას. მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ტ-ს I ადგილი უკავია გერანის ზეთის წარმოებით და ლიმონის მოსავლით. ტ-ს დამყარებული აქვს ეკონ. კავშირი ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან, განსაკუთრებით შუა აზიის რესპუბლიკებთან. სსრკ სხვა რესპუბლიკებიდან ტ. ღებულობს ტექნოლ. მოწყობილობას, ხელსაწყოებს, ავტომობილებს და სხვა სატრანსპ. საშუალებებს, ლითონის ნაკეთობებს, ნავთობპროდუქტებს, ბე-ტყის მასალას, ქიმ. ბოჭკოსა და სხვ. თავის მხრივ ტ. სხვა რესპუბლიკებში აგზავნის ბამბის ბოჭკოს, აბრეშუმის ქსოვილებს, ხალიჩებს, ზეთს, კონსერვებს, ხმელ ხილს, ღვინოს, თამბაქოს ნაწარმს, ფერადი ლითონების მადნის კონცენტრატს, ალუმინს, სათადარიგო ნაწილებს, ცემენტს, შიფერს, აზბესტცემენტის მილებს, არმატურას ნავთობსარეწებისა და ნავთობგადასამუშ. საწარმოებისათვის, მაცივრებსა და სხვ. ტ-ის პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთის თითქმის 50 ქვეყანაში.

მრეწველობა. 1960—70-იან წლებში ინტენსიურად განვითარდა მძიმე ინდუსტრიის დარგები. მისი ხვ. წ. მრეწვ. მთლიანი პროდუქციის 1/4-ზე მეტს შეადგენს (მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1). მძიმე მრეწვ. ძირითადი დარგებია ელექტროენერგეტიკა, ფერადი მეტალურგია, სამთამადნო, მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ., საშენ მასალათა მრეწველობა. სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა. აშენდა მძლავრი ჰესები და თეცები. სათბობი მრეწვ. ძირითადი დარგია ქვანახშირის მრეწველობა (შურაბის მურა ნახშირის საბადო). იღებენ ნავთობსა და აირს, ტყვია თუთიის, ბისმუთის, სტიბიუმ ვერცხლისწყლის, ვოლფრამ მოლიბდენის მადანს, ოქროს და სხვ. იქმნება ფერადი მეტალურგია. ქ. თურსუნზადეში მოქმედებს შუა აზიაში პირველი ალუმინის ქ-ნა. ისფარაში ჰიდრომეტალ. ქ-ნაა. მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ. საწარმოები ამზადებენ ქსელსახვევ მანქანებს, სას.-სამ. მანქანებს, საყოფაცხოვრებო მაცივრებს, მოწყობილობას სავაჭრო და საზ. კვების საწარმოებისათვის, მილსადენ არმატურას, ტრანსფორმატორებს, კაბელებს, შუქტექ. მოწყობილობას, დაბალძაბვიან ელექტროაპარატურას, ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს. ვითარდება ქიმ. მრეწველობა. ამზადებენ მინერ. სასუქებს, არის ელექტროქიმ. ქ-ნები. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა საშენ მასალათა მრეწველობა. მუშაობს ცემენტის, რკინაბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციების, საკედლე მასალების, თაბაშირის, კირის, მინერ. ბამბის მწარმოებელი ქ-ნები, აზბესტცემენტის ნაკეთობათა კომბინატი. მსუბუქ მრეწველობაში ღირსშესანიშნავია ბამბა-საწმენდი, ბამბეულის, აბრეშუმის, ხალიჩების, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ტყავ-ფეხსაცმლის, საგალანტერეო დარგები. კვების მრეწველობაში გამოირჩევა ხილ-საკონსერვო, ღვინის, ზეთსახდელი და ცხიმის, საკონდიტრო, ხორცის, რძის, თამბაქოს მრეწველობა. ძირითადი სამრეწვ. ცენტრებია დუშანბე, ლენინაბადი, ყურღანთეფა, ისფარა, ქულაბი, ყაირაქყუმი, ორჯონიკიძეაბადი, ურათეფა და სხვ.

სოფლის მეურნეობა. სოციალ. რეკონსტრუქციის შედეგად ტ-ში შეიქმნა დიდი მაღალმექანიზებული კოლ-ბები და საბჭ. მეურნეობები. 1984 იყო 158 კოლ-ბა და 285 საბჭ. მეურნეობა. სას.-სამ. სავარგულების საერთო ფართობია 4,2 მლნ. ჰა (1982). აშენდა სარწყავი არხები, წყალსაცავები, სატუმბი სადგურები. საბჭ. ხელისუფლების წლებში შემცირდა მარცვლეულით დაკავებული ფართ. და გაიზარდა ბამბის ნათესები.

ბამბის მწარმოებელ რესპუბლიკათა შორის ტ-ს II ადგილი უკავია ბამბის მოსავლიანობითა (29,5 ც/ჰა, 1982) და მთლიანი მოსავლით (908 ათ. ტ, 1982).

ტ. ქვეყნის წვრილბოჭკოვანი ბამბის წარმოების ძირითადი ბაზაა. მებამბეობა განვითარებულია ტ-ის ჩრდ. და სამხრ.-დას. ნაწილებში, მოვაკებულ სარწყავ მიწებზე. თამბაქო მოჰყავთ მთისწინა და მთიან სარტყლებში. ჰისარისა და ვახშის ხეობებში კულტივირებულია გერანი. ზეთოვანი კულტურები (ზეთოვანი სელი და შირბატი) მოჰყავთ მთისწინა ურწყავ მიწებზე. მარცვლეულიდან თესავენ ხორბალს, ქერს, სარწყავ მიწებზე — ბრინჯს. ბისტნეული და ბაღჩეული კულტურები მოჰყავთ მთელ ტერიტორიაზე, კარტოფილი — მთისწინა და მთიან რ-ნებში. ქ. დუშანბესა და ლენინაბადის მიდამოებში ვითარდება საგარეუბნო მეურნეობა. მებაღეობა და მევენახეობა განვითარებულია უმთავრესად ტ-ის ჩრდ., აგრეთვე სამხრ.-დას. რ-ნებში. მთავარი კულტურებია ვაშლი და გარგარი, შემდეგ — ალუბალი, ატამი, ქლიავი, მსხალი, ჟოლო, ბროწეული, ლეღვი, ნუში

ცხრ. 1.—მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1940	1950	1960	1970	1983
ელექტროენერგია (მლნ. კვტ·სთ.)	62,1	169,5	1288,4	3237,8	12036
ქვანახშირი (ათ. ტ)	204	449	854	887	932*
ნავთობი (აირის კონდენსატის ჩათვლით; ათ. ტ)	30	20	17	181	242*
აირი ბუნებრივი (მლნ. მ³)	2,2	0,2	—	388	496*
მინერალური სასუქი (პირობით ერთეულებში; ათ. ტ)	—	—	—	252,2	411**
ტრანსფორმატორი ძალური (ათ. კვ·ა)	—	—	9	1379	2894
შუქტექნიკის მოწყობილობა (მლნ. მან.)	—	—	3,4	10,5	11,3
მაცივარი საყოფაცხოვრებო (ათ. ც.)	—	—	—	129,6	132,7**
ასაწყობი რკინაბეტონი (ათ. მ³ ნაწარმი)	—	—	129,2	627,5	1009
ბამბის ბოჭკო (ათ. ტ)	60,9	71,1	137,4	235,0	277,3
ხალიჩა და ხალიჩის ნაწარმი (ათ. მ²)	...	...	421,1	3226	11000
საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი (ათ. ც.)	476	657	3456	9278	12000
ფეხსაცმელი ტყავის (ათ. წყვილი)	455	769	3119	6084	8500
ზეთი (ათ. ტ)	3,5	12,8	40,5	68,8	86,5
კონსერვი (მლნ. პირობითი ქილა)	13,9	30,3	61,3	172,8	294,5
ღვინო ყურძნის (მლნ. დკლ)	273	452	110²	3470	5400**

* 1974
** 1982

და სხვ. ომის შემდგომ წლებში გავრცელდა ლიმონი (მთავარი სას.-სამ. კულტურების ნათესი ფართობისა და მოსავლის შესახებ იხ. ცხრ. 2).

მეცხოველეობა სახორცე-სამატყლე და სახორცე-სარძეო მიმართულებისაა. განვითარებულია მომთაბარე-საძოვრული მეცხოველეობა. რესპ. სამხრ.-დას. და ჩრდ. რ-ნებში აშენებენ ყარაკულის ცხვარს. გამოყვანილია მსხვ. რქ. საქონლისა და ცხვრის ახ., უფრო პროდუქტიული ჯიშები. მისდევენ მეცხენეობას, მეღორეობას, მეაბრეშუმეობას. 1983 წ. 1 იანვ. ტ-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 1,3 (მ. შ. ძროხა — 0,5), ღორი — 0,1, ცხვარი და თხა — 3,1.

ტრანსპორტი. რესპუბლიკათაშორის გადაზიდვებში მთავარია სარკინიგზო ტრანსპორტი. რკინიგზის სიგრძეა 0,47 ათ. *კმ* (1982). შიგარესპუბლიკურ გადაზიდვებში მთავარია საავტ. ტრანსპორტი. საავტ. გზების სიგრძეა 17,8 ათ. *კმ*, აქედან 14,6 ათ. *კმ* (1982) მაგარსაფრიანია. საავტ. ტრანსპ. ტვირთბრუნვა 4362 მლნ. *ტ·კმ* (1982) შეადგენს. მთავარი საავტ. გზები: ხოროგ—ოში, დუშანბე—თერმეზი, დუშანბე — ურათეფა — ლენინაბადი, დუშანბე—ყურღანთეფა, დუშანბე — ქულაბი, დუშანბე—ხოროგი. მდ. ამუდარიის, ფანჯისა და ვახშის სანაოსნო გზების სიგრძეა 300 *კმ*. ომის შემდგომ წლებში ფართოდ განვითარდა საჰაერო ტრანსპორტი. ავიახაზები აკავშირებენ დუშანბეს საოლქო ცენტრებთან, რესპ. დაშორებულ რ-ნებთან, აგრეთვე მოსკოვსა და მრავალ სხვა ქალაქთან. მილსადენი ტრანსპორტია აირსადენები.

მატერიალური კეთილდღეობა. საბჭ. ხელისუფლების წლების მანძილზე განუხრელად იზრდება მშრომელი ხალხის კეთილდღეობა. ეროვნ. შემოსავალი 1970—82 წლებში 76%-ით გაიზარდა. საზ. მოხმარების ფონდიდან მოსახლეობაზე გადასახადისა და შეღავათის სახით გაიცა 1330 მლნ. მან. (1983). პენსიას იღებს 421 ათ. კაცი (1983). შემნახველ სალაროთა რიცხვმა 1982 წ. 527 მიაღწია, ანაბრების რაოდენობამ — 860 ათასს. საშ. ანაბარი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 1021 მან-მდე (1982). 1982 წ. აშენდა 18,9 ათ. კეთილმოწყობილი ბინა.

ლიტ.: Таджикская Советская Социалистическая Республика. Душ., 1974.

X. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1978 შობადობა 1 ათ. მცხოვრებზე შეადგენდა 37,0 (ყველაზე მაღალი სსრკ-ში), სიკვდილიანობა—7,5; ბავშვთა სიკვდილიანობა 1913 შედარებით შემცირდა 7-ჯერ. ლიკვიდირებულია შავი ჭირი, ჟვავილი, შებრუნებითი ტიფისა და ვისცერალური ლეიშმანიოზის ბუნებრივი კერები, ტრაქომა და სხვ. შემცირდა ბრუცელოზით, დიფთერიით, ტუბერკულოზით ავადობა. ჯერ კიდევ გავრცელებულია კუჭ-ნაწლავის დაავადებანი, ლეპტოსპიროზი, ჰელმინთოზი, ტრიქოცეფალოზი, ჰიმენოლეპიდოზი, ასკარიდოზი, აგრეთვე ჰემორაგიული ცხელება, ქუ-ცხელება; პამირზე გავრცელებულია ენდემიური ჩიყვი, აღმოჩენილია შავი ჭირის, ლისტერიოზისა და ცხელება ცუცუგამუშის ბუნებრივი კერები.

ოქტ. რევოლუციამდე მოსახლეობას არ ჰქონდა სამედ. დახმარება. 1913 ახლანდ. ტ-ის ტერიტორიაზე იყო 40-საწოლიანი 1 საავადმყოფო 11 ამბულ., 19 ექიმი. 1982 იყო 42,8 ათ. საწოლი (100,9 საწოლი 10 ათ. მცხ.). ამბულატორიულ დახმარებას მოსახლეობას უწევდა 380 საექიმო ამბულ.-პოლიკლინიკური დაწესებულება, აქედან 52 დისპანსერი და 995 საფერშლო-სამეანო პუნქტი. მშობიარეთა და ორსულთათვის საწოლების საერთო რაოდენობა შეადგენდა 1 ათ.; ქალებსა და ბავშვებს ემსახურებოდა 420 ქალთა კონსულტაცია, ბავშვთა პოლიკლინიკა და ამბულატორია. ძნელად მისაწვდომ მთიან რ-ნებში მოსახლეობას დახმარებას უწევს სანიტ. ავიაცია.

1982 ტ-ში მუშაობდა 10,6 ათ. ექიმი (25,1 ექიმი 10 ათ. მცხ.) და 28,4 ათ. საშ. სამედ. პერსონალი. ექიმებს ამზადებს ტ-ის სამედ. ინ-ტი. ტ-ში არის 31 სანატორიუმი, 8 დასასვენებელი სახლი და პანსიონატი. 1974 ჯანდაცვასა და ფიზ. კულტურაზე დაიხარჯა 105,8 მლნ. მანეთი.

XI. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

ოქტ. რევოლუციამდე ტ-ის ტერიტორიაზე განათლება მუსლ. სამღვდელოების ხელში იყო. წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცების რაოდენობა მოსახლ. 3,9%, ქალებისა — 0,3% შეადგენდა. XX ს. დასაწყისში გაიხსნა 10 ოთხწლიანი რუს.-ადგილობრივენოვანი სკოლა (1914/15 სწავლობდა 369 მოსწ., მუშაობდა 13 მასწავლებელი). სპეც. და უმაღლესი სასწავლებლები არ იყო.

ოქტ. რევოლუციამ ხალხს გზა გაუხსნა განათლებისაკენ. 1918 ტ-ში გაიხსნა 15 საბჭ. სკოლა. 1926 უკვე იყო 161 სკოლა და 10 საბავშვო სახლი (5430 მოსწ.). კულტრევოლუცია ტარდებოდა უმძიმეს მატერ. პირობებში. 1931/32 სასწ. წ. უკვე მუშაობდა წერა-კითხვის უცოდინარობის 3360 სალიკვიდაციო პუნქტი (134,8 ათ. მოსწ., აქედან 22,9 ათ. — ქალი). განათლების განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა ტაჯ. დამწერლობის გადაყვანამ რუს. გრაფიკის საფუძველზე დამუშავებულ ახ. ანბანზე (1940). 1949 განხორციელდა საყოველთაო სავალდებულო 7-წლიან, 1959 წ. — 8-წლიან სწავლებაზე გადასვლა. IX ხუთწლედში ძირითადად დამთავრდა საყოველთაო სავალდებულო საშ. განათლებაზე გადასვლა.

1982 სკოლამდელ დაწესებულებებში იყო 81,6 ათ. აღსაზრდელი, ყველა სახის 3,1 ათ. სკოლაში სწავლობდა 900 ათ. მოსწ., მუშაობდა სკოლისგარეშე დაწესებულებები: პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე (დუშანბეში) და 68 სახლი, 6 ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, 4 ნორჩ ნატურალისტთა სადგური, 6 საბავშვო საექსკურსიო-ტურისტული სადგური, 24 საბავშვო ფილმოთეკა, 1686 საბავშვო ბ-კა და 5 საბავშვო პარკი; 59 პროფტექ. სასწავლებელში სწავლობდა 21,5 ათ. მოსწ. აქედან 20 სასწავლებელი (6,6 ათ. მოსწ.) პროფესიასთან ერთად იძლეოდა საშ. ზოგად განათლებას. 38 საშ. სპეც. სასწავლებელში სწავლობდა 38,2 მოსწ. 9 უმაღლეს სასწავლებელში — 48,5 ათ. სტუდენტი.

საბჭ. ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა სამეცნ. დაწესებულებათა ქსელი — 57 დაწესებულება უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით. სულ რესპუბლიკაში მუშაობდა 6,4 ათ. მეცნ. მუშაკი, აქედან 2 ათ. მეცნ. დოქტორი და კანდიდატი. მეთავე დაწესებულებაა *მეცნიერებათა აკადემია ტაჯიკეთის სსრ-ისა*, სამეცნ.-კვლ. მუშაობა წარმოებს ყაზ., უზბ., თურქმ., ყირგ. მეცნ. აკადემიკოსებთან ერთობლივი პროგრამებით.

1980 ტ-ში მუშაობდა 1,4 ათ. მასობრივი ბ-კა. მ. შ. ფირდოუსის სახ. ტაჯ. სსრ სახელმწ. რესპ. ბ-კა. მუზეუმები: ბეპზადის სახ. ისტ.-სამხარეთმცოდნეო და სახვ. ხელოვნ. გაერთ. მუზეუმი, ს. აინის სახ. ლიტ. მუზეუმი დუშანბეში, რუდაქის სახ. რესპ. ისტ.-სამხარეთმცოდნეო მუზეუმი ფენჯიქენთში, ისტ.-სამხარეთმცოდნეო მუზეუმები ხოროგში, ლენინაბადში, ისფარაში და სხვ. მუშაობდა 1,2 ათ. საკლუბო დაწესებულება, 1100 კინოდანადგარი.

XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

ეროვნ. საგამომცემლო საქმეს ტ-ში ოქტ. რევ. შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. 1924 დაარსდა პირველი სტამბა დუშანბეში, 1925 შეიქმნა ტ-ის სახელმწ. გამომცემლობა. 1934 აშენდა დუშანბეს პოლიგრაფკომბინატი. მნიშვნელოვანი გამომცემლობებია „ირფონი" (1964), „დონიში" (1964), „ტაჯიკუჩპედგიზი" (1958 1975-იდან „მაორიფი") და სხვ. ყოველწლიურად რესპ. გამოსცემს დაახლ. 800-ზე მეტი დასახელების წიგნსა და ბროშურას 6 მლნ-ზე მეტი საერთო ტირაჟით. 1974 დაარსდა ტაჯ. საბჭ. ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია.

პირველი გაზეთი ტაჯ. ენაზე „იდი თოჯიქი" („ტაჯიკის დღესასწაული") გამოვიდა 1925. ამჟამად ტ-ში გამოდის 61 გაზეთი, აქედან 7 რესპ., 2 საოლქო, 1 ავტონ. ოლქის, 7 საქალაქო, 34 რ-ნული, 10 ძირეული, რ-თა საერთო წლ. ტირაჟი 217 მლნ-ზე მეტია. ტაჯ. ენაზე გამოდის 51 გაზეთი: რესპ. გაზეთები — „თოჯიქისთონი სოვეთი" („საბჭოთა ტაჯიკეთი", 1925-იდან), „კომსომოლი თოჯიქისთონი" („ტაჯიკეთის კომკავშირელი", 1930) და სხვ.; რუს. ენაზე — „კომმუნისტ ტაჯიკისტანა" (1925-იდან); უზბ. ენაზე — „სოვეთ თოჯიქისთონი" („საბჭოთა ტაჯიკეთი", 1929-იდან) და სხვ. გამოდის 51 საჟურნალო გამოცემა, აქედან 14 ჟურნალი, 12 „შრომების" ტიპისა, 23 ბიულეტენი — 17 მლნ-ზე მეტი საერთო წლ. ტირაჟით. 1933 დაარსდა ტ-ის დეპეშათა სააგენტო („ტაჯიკტა"), 1928-იდან მუშაობს რადიომაუწყებლობა, 1959-იდან—დუშანბეს ტელეცენტრი.

XIII. ლიტერატურა

ტაჯ. ლიტ-რა საბჭ. ხალხთა ლიტერატურათაგან ერთ-ერთი უძველესია. ტაჯიკები (აღმ. ირანელები), შუა აზიის ბინადარნი და სპარსელები (დას. ირანელები), ირანში მცხოვრებნი, უძველესი დროიდან, ქმნიდნენ ერთიან ლიტ-რას, რ-მაც განვითარების კლასიკურ ხანას დარის (ფარსის) ენაზე X—XV სს-ში მიაღწია (იხ. *ირანი*. ლიტერატურა). XVI ს. დამდეგიდან შუა აზია პოლიტ. ვითარებათა გამო გამოეყო ირანს, დაიწყო ტაჯიკები-

ცხრ. 2. — მთავარი სას.-სამ. კულტურების ნათესი ფართობი და მოსავალი

	ფართობი (ათ. ჰა)				მოსავალი (ათ. ტ)			
	1940	1960	1970	1982	1940	1960	1970	1982
ნათესი ფართობი . . . . . მ. შ.	807,1	724,3	764,9	766,4				
მარცვლეული კულტურები	567,4	360,6	320,5	171,4	323,8	255,7	222,2	271
ტექნიკური კულტურები . . . . . მ. შ.	160,6	214,6	266,2	316,9				
ბამბა	106,1	172,4	254,0	307,6	172,4	399,4	726,6	908
ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და კარტოფილი	23,7	17,8	27,2	34,7	82,2	79,8	273,3	574
საკვები კულტურები	55,3	131,2	150,8	243,4				

სა და სპარსელების კულტ. დიფერენციაციის პროცესი, რასაც კიდევ უფრო აღრმავებდა რელიგ. განშტოება (ირანში შიიტობა აღიარეს, შუა აზიამ კი სუნიტობა შეინარჩუნა). ამ დროიდან ტ-ის ლიტ-რა მჭიდროდ დაუკავშირდა ინდ. მუსლ. კულტურას. ამის შედეგად მწერლობაში განვითარდა ე. წ. „ინდური სტილი“, რ-საც ახასიათებდა პოეტური მეტყველების ხელოვნური გართულება და აზრის გადმოცემაში ღვლარჭნილობა. XVI—XIX სს. საკარო პოეზიას არ ჰყავდა ღირსშესანიშნავი პოეტები. ხალხ. პოეზიის ელემენტებით მდიდარია *ვასიფისა* და ჰილალის შემოქმედება. XVI ს. პირველ წლებში კიდევ არსებობდა კლასიკური პერიოდის მდიდარი ტრადიციები, რ-თა საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ბინოი, ჰილალი და სხვ. განვითარდა საქალაქო ლიტ-რა, რ-იც ფეოდალიზმის ღინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა. ხელოსანთა წრიდან გამოსულ პოეტთაგან აღსანიშნავია აბდურაჰმან *მუშფიყი*. ცნობილია მისი კასიდების დივანი. ყურადღებას იპყრობს „საჩივარი ტირანიაზე“. პოეტი გვიჩვენებს მწარმოებელი მოსახლ. სიღარიბეს. მნიშვნელოვანია „დივანი სატირებისა“. სოც. მოტივები კიდევ უფრო აშკარად აქვს გამოხატული XVII—XVIII სს. პოეტს საიდო ნასაფის. იგი ხოტბას ასხამს ხელოსნებს, ხაბაზებს, მღებავებს. XVII—XVIII სს. პოეზიაში გამოირჩეოდნენ პოეტი ქალი ზებუნისა (1643—1721) და მირზა აბდ ალ-ყადირ *ბიდილი*. პირველი წერდა მახფის ფსევდონიმით, გმობდა ხალხის ჩაგვრას, ილაშქრებდა ისლამის კულტის მსახურთა წინააღმდეგ, იცავდა ქალის უფლებებს. საყურადღებოა მისი შეხედულებანი ფორმისა და შინაარსის ერთიანობაზე. ბიდილი, ფილოსოფოსი და სუფი პოეტი, ეძიებდა ჭეშმარიტებას, ადამიანის ცხოვრების აზრს. დიდი იყო ფეოდალიზმისა და რელიგ. მიმართ ბიდილის კრიტ. დამოკიდებულებისა და რთული პოეტური ფორმის გავლენა მის თანამედროვე თუ მომდევნო პერიოდის მწერლებზე.

XIX ს. I ნახევრამდე გრძელდებოდა რთული, ღვლარჭნილი პოეტური სტილით წერა. მხოლოდ შუა წლებიდან დაიწყო არსებითი ხასიათის ცვლილება, რაც დაკავშირებული იყო განმანათ. იდეების აღმოცენებასთან. აღსანიშნავია ამ პერიოდში, რ-იც ამხელდა ემირის დესპოტიზმს, ასახავდა ხალხის ჩაგვრასა და სიბნელეს, საჭიროდ თვლიდა რეფორმებს.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი ეროვნ. კულტ. და ლიტ-რის განვითარებისათვის. სადრეიდნ *აინის* მოთხრობები „ბუხარელი ჯალათები“ (1920), „ოდინა“ (1924), ლექსები „თავისუფლების მარში“ (1918), „ოქტომბრის სადიდებლად“ და სხვ., აბუ ლ-ყასემ *ლაჰუთის* პოემა „კრემლი“ (1923), მუჰამედჯან რაჰიმის (1901—68) ლექსები დასაწყისი იყო საბჭ. ტაჯ. ლიტ-რისა, რ-ის იდეურ დახვეწაში დიდი როლი ითამაშა პრესამ, კერძოდ: გაზეთებმა „ოჯოზი თოჯიქმა“ (1924—36) და „ბედორიი თოჯიქმა“ (1945-იდან), ჟურნ. „რაპბარი დონიშმა“ (1927—30). განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკპ(ბ) ცკ-ის 1932 დადგენილებას „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“. შეიქმნა ტაჯ. მწერალთა კავშირი (1934), გამოიცა ჟურნ. „ბართი ადაბიიოთი სოსიალისთი“ (ამჟამად „სადღი შარყ“), რ-მაც დიდი როლი ითამაშა ტაჯ. ლიტ-რის სოციალ. რეალიზმის გზით წარმართვაში. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მოძმე ხალხების ლიტ-რასთან, კერძოდ, რუს. ლიტ-რასთან კონტაქტები; ითარგმნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. ჩეხოვის, მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, მ. შოლოხოვისა და სხვათა ნაწარმოებები. განვითარდა ტაჯ. პროზაც. 30-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა კომკავშირული თაობა: მირზო თურსუნზადე, აბდ ალ-სალამ *დეჰოთი*, სათიმ *ულუღზადე*, მირსაიდ *მირშაქარი* და სხვ. ამ თაობისათვის დამახასიათებელი იყო სწრაფვა მაღალი იდეურობისა და პოეტური სიტყვის სინატიფისაკენ. ტაჯ. ლიტ-რაში ფართოდ აისახა დიდი სამამულო ომის პერიოდი. ლაჰუთიმ დაწერა პოემები „მარდესთანი“ (1941), „ტანიას გამარჯვება“ (1942), „თანამგზავრები“ (1943), თურსუნზადემ —პატრ. პოემა „სამშობლოს შვილი“ (1942), რ-შიც შექმნა ტაჯიკი მეომრის სახე. ომის გმირებზე ფრონტსა და ზურგში ნაწარმოებები შექმნეს რაჰიმიმ, მირშაქარმა, დეჰოთიმ, რაჰიმზადემ და სხვ.

ომის შემდგომ წლებშიც ტაჯ. ლიტ-რაში წამყვან ჟანრად დარჩა პოეზია. განვითარდა პოეტური ეპოსი: ლაჰუთის „ბედნიერების ფერიები“, მირშაქარის „ლენინი პამირზე“ (1955), თურსუნზადეს „ჰასან არბაქეში“ (1954), „განგიდან კრემლამდე“ (1970), ანსორის „ქალაქიდან შორს“, გ. მირზოს „გულშანი“, რაჰიმზადეს „მთის ლეგენდა“, „უსმანის ამბოხება“ და სხვ., რ-თაც ახასიათებს მასშტაბურობა, აქტუალობა, მაღალი იდეურობა. ლირიკაში აფეერდა შრომისა და მშვიდობის თემები: თურსუნზადეს ლექსების კრებული „ინდური ბალადა“ (1947—48), „მე თავისუფალი აღმოსავლეთიდან ვარ“ (1950). გამოქვეყნდა შუქუჰის კრებ. „მშვიდობის სამშობლო“, რაჰიმის, დეჰოთის, რაჰიმზადესა და სხვათა ლექსები. განვითარდა მხატვრული პროზა, რ-ის ფუძემდებელი იყო აინი [ავტობიოგრ. რომანი „მოგონებები“ (წგნ. 1—4, 1949—54), ქართ. თარგმანით, „ბუხარა“, 1979]. გამოქვეყნდა ჯალოლ იქრამის რომანი „შოდი“ (1949), რ-იც სოფლის სოციალ. გარდაქმნის თემას ეხება, აგრეთვე მოთხრობები. აღსანიშნავია მისი თხზულება „ყვავივით გამძლენი“ (1981). ქარიმის შემოქმედება მნიშვნელოვანი წვლილი იყო ნოველის განვითარებაში. აღსანიშნავია ნიაზის რომანი „ერთგულება“, ჯალილის რომანი „შურობი“ (1959—65) და მოთხრობათა კრებულები „მეორე სიცოცხლე“ (1949), „გაზაფხული“ და სხვ. 1981 გამოქვეყნდა მისი „ბედის უკუღმართობა“. დაიწერა ომის შემდგომი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები: ულუღზადეს „განახლებული მიწა“ (1953), იქრამის „სითორა“ და სხვ. გაიზარდა ისტ. თემებისადმი ინტერესი: იქრამის „ბუხარის თორმეტი ჭიშკარი“ (1967—68), ულუღზადეს „ყოსე“ (1967), რასულ ჰადიზადეს „წამების კასიდა“ მირშაქარის „ჩემი სახლი“ და სხვ. დრამატურგია ყველაზე ახ. ჟანრია ტაჯ. ლიტ-რაში. აღსანიშნავია იქრამის „მტერი“ (1933), მირზო თურსუნზადეს „განაჩენი“ (1935), სამედ ღანის და ნიაზის „პატრიოტები“, სამამულო ომის თემაზე დაწერილი იქრამის „დედის გული“ და „ნადირის სახლი“ (1943, თანაავტორი ა. ფაიქო), ულუღზადეს „ცეცხლში“ (1944) და სხვ.

მაღალ იდეურ და მეცნ. დონეზე დგას ტაჯ. ლიტ. კრიტიკა და ლიტმცოდნეობა. ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მ. შუქუროვის „ჯალოლ იქრამის პროზა“ (1979), ი. ბრაგინსკის „ავესტიდან აინიმდე“ (1981) და სხვ.

ლიტ.: ტაჯიკური პოეზია, თბ., 1952; Бечка И., Таджикская литература с XVI до начала XX века, წგნ.: История персидской и таджикской литературы, под ред. Я. Рипки, пер. с чеш., М., 1970, с. 325—370; Таджикская советская литература. Сб. статей, Душ., 1954.

ჯ. ფალაჟა.

XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ტ-ის ძვ. და შუა საუკ. ხელოვნ. განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კულტ.-ეკონ. ურთიერთობებმა შუა აზიის და სხვ. ქვეყნებთან, განსაკუთრებით უზბეკეთთან. ბევრი ძვ. და შუა საუკ. ძეგლი (ბუხარის, სამარყანდის არქიტ. ძეგლები, მინიატიურები) ორივე ქვეყნის კულტ. მემკვიდრეობას შეადგენს (ქვემოთ დასახელებულია მხოლოდ ის ძეგლები, რ-ებიც ახლანდ. ტ-ის ტერიტორიაზე მდებარეობს).

ტ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მეზოლითის პერიოდის, ნეოლითის ხანის, ბრინჯაოს და აქემენიდთა ეპოქის, ბერძნ.-ბაქტრიულ და ქუშანის ხანის კულტ. ძეგლები, აგრეთვე პამირული ციხესამაგრეები (ქაჰქაჰა, იამჩუნი). ამ პერიოდის მთელი ხელოვნებისთვის დამახასიათებელია ელინისტური ელემენტებისა და ადგილ. ტრადიციების შერწყმა (სასახლე-სატაძრო კომპლექსი საქსან-ოხურში).

V ს.—VIII ს. დასაწყისში ტ-ის ტერიტორიაზე მრავალი რეგულარულად დაგეგმარებული ქალაქი განაშენიანდა. შენდებოდა სასახლეები, სხვადასხვა რელიგიის საკულტო ნაგებობები, სოფლად — ციხე-სასხლეთ. ადრინდ. შუა საუკ. სახვით ხელოვნებაში, რ-იც თავდაპირველად სოლდის, უსრუშანისა და ტოხარისტანის გავლენით ვითარდებოდა, ყალიბდება ხელოვნ. ადგილ. სტილი, რ-შიც გადამუშავებულია ელინისტური და ქუშანური ტრადიციები და არეკლილია ჩრდ. ინდოეთისა და ავღ. ხელოვნებასთან ურთიერთობა.

არაბთა შიერ ტ-ის დაპყრობის შედეგად ისლამის გავრცელებას მოჰყვა ახ. ტიპის ნაგებობათა მშენებლობა (მეჩეთები, მინარეთები, მავზოლეუმები და სხვ.), შეიქმნა ახ. დასახლებანი — რაბათები. ხუროთმოძღვრებაში კვლავ ინარჩუნებდნენ ადრინდ. შუა საუკ. ნიშნებს (*ისმაილ სამანის მავზოლეუმი* ბუხარაში). ძირითადი საშენი მასალა იყო ალიზი. ნაგებობებს უხვად ამკობდნენ კვეთილი შორენკეცით, აგურით გამოყვანილი მორთულობით, თიხაზე კვეთილი ორნამენტით (სოფ. აშთის მეჩეთის მიხრაბი, X—XI სს.). XIV ს. ტ-ის მონუმ. ხუროთმოძღვრული ძეგლია *ბუჰამად ბაშარის მავზოლეუმის* პორტალი. XIV ს. დასასრ. და XV ს. ტ-ის ხუროთმოძღვრების აყვავების ხანაა (სამარყანდის, შაჰრისაბზისა და სხვ. ქ-ების ხუროთმოძღვრული ძეგლები). XVI—XVII სს-ში შეიქმნა დიდებული საკულტო ნაგებობები (მახდუმი აზამის მავზოლეუმი ჰისარში, ქოქ-გუმბეზის მეჩეთი ურათეფაში). XVII ს.—XIX ს. დასაწყისის არქიტექტურაში შენარჩუნებულია ძვ., XII ს. ტრადიციები (მედრესე ჰისარში) სახვით ხელოვნებაში.

XV ს-ში *ჰერათის სამინიატიურო სკოლის*, ხოლო XVI—XVII სს-ში შუა აზიის სამინიატიურო ფერწერის სკოლების გავლენით აღმავლობის გზას დაადგა ფერწერა. XVIII ს. — XX ს. დასაწყისში განვითარდა მხატვრული ხელოსნობა, საიუველირო ხელოვნება.

საბჭ. ტ-ში მშენებლობა მიმდინარეობს გენ. გეგმის მიხედვით (დუშანბე, ლენინაბადი და სხვ.). 30-იან წლებში ძვ. სამშენებლო მასალები (ალიზი, თიხა) შეცვალა თანამედროვე მასალებმა (აგური, ბეტონი, რკინაბეტონი).


1945—55 ტიპური მშენებლობა მიმდინარეობდა. მთაგორიანი რელიეფისა და მაღალი სეისმურობის რთულ პირობებში წარმატებით გადაიჭრა მაღალსართულიანი სახლების მშენებლობის პრობლემა. ხუროთმოძღვრებაში თანამედროვე არქიტექტურას ორგანულად ერწყმის ტრად. დეკორი. საბჭ. ტ-ის სახვითი ხელოვნ. განვითარების ადრინდ. ეტაპი (1920-იანი წწ.) დაკავშირებულია სა-




ტაჯიკეთის სსრ. ბოდჰისატვის თავი (?). თიხა, აჯინა-თეფე. VII—VIII სს. დასაწყისი. ერმიტაჟი. ლენინგრადი.



ტაჯიკეთის სსრ. ლომი. სტუკა. პორელიეფი. სათ ტულაბის ოქტ. ნაქალაქარი. IX—X სს. ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დონიშის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. დუშანბე.



ტაჯიკეთის სსრ. „სქიდი“, მამაკაცის საჭორწილო ტიუბეტეიკა (ხალმის ქვეშ). აბრეშუმით ნაქარგობა. სოფელი ვრანგი. პამირი.



ტაჯიკეთის სსრ. „თუფი“, მამაკაცის ტიუბეტეიკა. ნაქარგობა. აბრეშუმი „შოჰი“. XIX ს. დასასრული—XX ს. დასაწყისი. ხოჯენდი (ლენინაბადი).



ტაჯიკეთის სსრ. ო. ა ხ უ ნ ო ვ ი. „წარსულის ფურცლები". გაპრიალებული თიხა. 1959. ბეჯზადის სახელობის ისტორიულ-სამხატვრეთმცოდნეო და სახვითი ხელოვნების გაერთიანებული რესპუბლიკური მუზეუმი. დუშანბე.



ტაჯიკეთი. ს. ვ ი შ ნ ე ვ ო ლ ს კ ი. „პაფუზი". ლინოგრავიურა. 1971.



ტაჯიკეთი. გ. ა ი ზ ი კ ო ვ ი ჩ ი. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის სახლი. დუშანბე. 1974.

მარყანდთან. ტასრ შექმნის (1929) შემდეგ მხატვრული კულტ. ცენტრია დუშანბე. 1920-იანი წწ. დასასრ. და 30-იანი წწ. დასაწყისში აქ ჩამოვიდნენ მხატვრები ე. ბურცევი, მ. ნოვიკი და სხვ., რ-ებმაც საფუძველი ჩაუყარეს ტ-ის მხატვართა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს. 30-იანი წწ. დასასრ. სამუშაოდ ჩამოვიდნენ მხატვრები გ. ტიმკოვი, ბ. შახნაზაროვი, დახმარებას უწევენ მოსკ. მხატვრები ვ. სიდორენკო, ი. ერშოვი და სხვ.

სამამულო ომის წლებში განვითარდა გრაფიკა. ომის შემდგომ წლებში დაზგურ ფერწერასთან (ა. აშუროვი, ა. კამელინი) ერთად დაიწყო მონუმ.,. დეკორ. (ი. აბდურაპმანოვი) და თეატრ.-დეკორ. (მ. მუხინი) ხელოვნების განვითარება. 1960-იან წლებში ფერწერაში მუშაობდნენ ა. ამინჯანოვი, ა. ახუნოვი, გრაფიკაში და წიგნის ილუსტრაციაზე — ს. ეიშნეპოლსკი და სხვ.

1980-იან წლებში ტ-ში ამენდა ახ. საცხოვრ. შენობები და საზ. ნაგებობანი. მ. შ. აღმოსავლურ ხელნაწერთა არქივის შენობა დუშანბეში (არქიტ. ე. სალიპოვი). ტაჯიკი ფერმწერები მონაწილეობენ როგორც შიგა რესპ., ისე საკავშ. გამოფენებში. მუშაობენ ფერმწერები მ. აბდურაპმანოვი, რ. აბდურაშიდოვი, მოქანდაკეები ო. ელდაროვი და სხვ.

აღორძინების გზას დაადგა დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნება — ხეზე კვეთა, მოხატვა და სხვ.

ლიტ.: **Воронина В. Л., Народная архитектура Северного Таджикистана, М., 1959; Искусство таджикского народа, в. 1—3, Душ., 1956—65; История искусства народов СССР, т. 1—3, 7, М., 1971—74.**

XV. მუსიკა

ტაჯ. მუსიკა ძველთაგანვე ვითარდებოდა როგორც ზეპირი ტრადიციის მქონე ხალხ. და ხალხ.-პროფ. ერთხმიანი ხელოვნება. ხალხ. მუსიკის (სიმღერის) ჟანრები მრავალფეროვანია, ფართოდაა გავრცელებული საკრავიერი მუსიკა. ზეპირი ტრადიციის ხალხ.-პროფ. კლასიკური მუსიკა (ტრად. მუსიკა) ქალაქურ კულტურას ეკუთვნის. მისი წარმომადგენლები არიან სოზანდები (მომღერალი და მოცეკვავე ქალები), მავრიგიხონები (მომღერლები), მაყომიები (მომღერლები და დამკვრელები). ხალხ. კლასიკური მუსიკის მწვერვალია „შაშმაყომი", რ-იც ჩამოყალიბდა ბუხარაში, სამარყანდსა და ხოჯენდში (IX—XVIII სს.). ძირითადი საკრავები, რ-ებიც მონაწილეობენ „შაშმაყომის" შესრულებაში, არის ტანბური და დოირა. გავრცელებული ხალხ. საკრავებია დუთარი, დუმბრაკი, რუბაბი, ნაი, ჩანგი, ნაღარა და სხვ. კლასიკური მუსიკის თეორ. საფუძვლები გაშუქებულია მთელ რიგ თეორ. ტრაქტატებში (ალ-ფარაბი, IX—X სს.; იბნ სინა X—XI სს.; საფიადინ ურმავი, XIII ს.; ალ-ამული, XIV ს.; აბდ ალ-რაპმან ჯამი, XV ს.; ალი ჩანგი, XVII ს; და სხვ.).

ტ-ში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო მუს. კულტურის განვითარების ახ. ეტაპი. ეროვნ. მონოდიური მუს. ხელოვნ. პარალელურად განვითარდა მრავალხმიანი მუსიკის ჟანრები, შეიქმნა თანამედროვე პროფ. მუსიკის პირველი ნიმუშები, ჩამოყალიბდა სამუსიკო სასწ. დაწესებულებები, საშემსრულებლო კოლექტივები (ტაჯ. მუს. თეატრი, 1936), ფილარმონია (1938). 1939 დაიდგა პირველი ტაჯ. ოპერა — ს. ბალასანიანის „ვოსეს აჯანყება". 40—50-იან წლებში შ. საიფიდინოვმა, ზ. შაჰიდიმ, ფ. სალიევმა, ა. ჰამდამოვმა და სხვებმა შექმნეს საოპერო, სიმფ. და სხვ. მუს. ნაწარმოებები. 60—70-იან წლებში. საგრძნობლად ამაღლდა კომპოზიტორების პროფ. ოსტატობის დონე. შეიქმნა ახ. ოპერები, სიმფ., ვოკალურ-სიმფ. და საკრავიერი ნაწარმოებები. 1981 დაიდგა დ. დუსთმუპამედოვის ოპერა „ოქროს ყიშლაღი", რ-იც საკავშ. დათვალიერების დროს რესპ. საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნიეს.

ამჟამად ტ-ში მუშაობს ოპერისა და ბალეტის თეატრი, მუსკომედიის 2 თეატრი, რამდენიმე მუს.-დრამ. თეატრი, სიმფ. ორკესტრი (1965), ხალხ. საკრავთა ორკესტრი, ხელოვნებათა ინ-ტი (1973), 2 სამუსიკო სასწავლებელი, სამუსიკო სკოლები და სხვ.

ლიტ.: **Беляев В., Музыкальная культура Таджикистана, მის წგნ.: Очерки по истории музыки народов СССР, в. 1, М., 1962; История музыки народов СССР, 2 изд., т. 1—5, М., 1970—74; Музыкальная жизнь Советского Таджикистана, в. 1—2, Душ., 1974—75.**

XVI. ბალეტი

ტაჯ. ქორეოგრაფია ვითარდებოდა უძველესი წეს-ჩვეულებების, თამაშობების, მისტერიებიდან წარმოშობილი წინაისლამური რელიგ. ცერემონიალების წიაღში. ტაჯ. ხალხ. ცეკვის მწვერვალია „ზანგი" (ზანზალაკი). XIX—XX სს. მიჯნაზე ბუხარაში მუშაობდა ტაჯ. პროფ. ცეკვის თეატრი „სოზანდა". ხალხ. ცეკვის განვითარებას ხელი შეუწყო ტაჯ. ფილარმონიამ (1938). 1965 დაარსდა ტაჯ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლი „ლოლა" (ხელმძღვ. გ. ვალამათზადე). ხალხ. ცეკვის ოსტატები არიან ბ. ჰამიდოვი, ს. ხოჯაევი, ხ. ფასაროვი და სხვ. ტაჯ. საბჭ. საბალეტო დასი შეიქმნა 1936 დუშანბეში, ტაჯ. მუს. თეატრთან. ბალეტის პირველი მოცეკვავეები იყვნენ ვალამათზადე, მ. ფაიზიბოევა, აზიმოვა და სხვ. საეტაპო მნიშვნელობისა იყო ს. ბალასანიანის ბალეტი „ლეილი და მაჯნუნი" (1947) და ა. ლენსკის „დილბარი" (1954). კლასიკური ცეკვების პირველი შემსრულებელი ტაჯიკი ქალი იყო ლ. ზოჰიდოვა. თანამედროვე მოცეკვავეთაგან აღსანიშნავი არიან სსრკ სახ. არტისტი მ. საბიროვა, ტაჯ. სსრ სახ. არტისტები — ბ. ისაევა, მ. ბურპანოვი, ბალეტმაისტერები მ. უმაროვი, ვ. ფიარი და სხვ. 1945 დუშანბეში შეიქმნა ქორეოგრაფიული სტუდია, 1958 — სკოლა.

ლიტ.: **Азимова А., Танцевальное искусство Таджикистана, Сталинабад, 1957.**

XVII. დრამატული თეატრი

თეატრ. საწყისებს შეიცავდა ტაჯ. ხალხ. სიმღერები და ცეკვები. ევრ. ტიპის ტაჯ. თეატრი შეიქმნა ოქტ. რევ. შემდეგ. 1919-იდან ხოჯენდში, ურატეფაში, ისფარაში მოღვაწეობა დაიწყეს მოყვარულთა აგიტთეატრებმა. 1929 დუშანბეში შეიქმნა პირველი პროფ. თეატრი (ახლანდ. ტაჯ. დრამ. თეატრი). 1932 ლენინაბადში დაარსდა მუს.-დრამ. თეატრი. პროფ. თეატრები შეიქმნა დიდ ქ-ებსა და რ-ნულ ცენტრებში. 1937 დუშანბეში გაიხსნა რუს. დრამ. თეატრი.

თეატრების რეპერტუარში იყო როგორც ეროვნ., ისე საბჭ. და მსოფლიო დრამატურგიის ნაწარმოებები. ხალხის ბრძოლას ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისათვის ასახავენ სპექტაკლები ჯ. იქრამის „დოხუნდა" (1954, 1957), ს. საიდმურადოვის „პოემა ბიბი ზაინაბზე" (1965) და სხვ. თანამედროვე დრამატურგიის ძირითადი თემაა სოციალ. ტ-ის ცხოვრება, ხალხის კულტ. და კეთილდღეობის ზრდა, მათი შრომითი საქმიანობა, ახ. ურთიერთობები. დრამ. თეატრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სსრკ სახ. არტისტმა მ. ყასიმოვმა და ტაჯ. სახ. არტისტმა გ. ბაყაევამ. ტ-ის დრამ. სცენის დიდი ოსტატები არიან: სსრკ სახ. არტისტები ა. ბურპანოვი, ნ. ვოლჩკოვი, თ. ფაზილოვა, ტაჯ. სახ. არტისტები ბ. ალიფბეკოვა, თ. გაფაროკა, მ. ვაჰიდოვი და სხვ. ტ-ში მუშაობს ლაპეთის სახ. აკად. დრამ. თეატრი, ტაჯ. ახალგაზრდული თეატრი დუშანბეში, ა. პუშკინის სახ. მუს. კომედიის თეატრი ლენინაბადში, რუდაქის სახ. მუს. კომედიის საოლქო თეატრი ხოროგში, მუს.-დრამ. თეატრები რამდენიმე ქალაქში, რუს. თეატრები დუშანბეში, ჩკალოვსკში, თოჯინების თეატრი ჩკალოვსკში.

ლიტ.: **Нурджанов Н., Таджикский театр, М., 1968.**

XVIII. კინო

ტ-ში 1929 დაიწყო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმების გადაღება. 1930 შეიქმნა ტრესტი „ტაჯიკკინო". პირველი ტაჯ. მხატვრული ფილმია „როცა ემირები კვდებიან" (1932), პირველი ხმოვანი მხატვრული ფილმებია „ბაღი" (რეჟ. ნ. დოსტალი) და „მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს" (რეჟ. ქ. იარმათოვი, ორივე — 1939). 50-იანი წწ. ფილმებიდან აღსანიშნავია „დოხუნდა" (1956, ს. აინის რომანის მიხედვით), „ჩემი მეგობარი ნავრუზოვი" (1957), „დიდი თანამდებობა" (1958), „ძე შემხვდა ქალიშვილი" (1957) და სხვ. 60-იანი წლებისათვის დამახასიათებელია ისტ.-რევ. თემატიკა. ფილმები: „პამირის შვილები" (1963, რეჟ. ვ. მოტილი), „მშვიდობიანი დრო" (1965), „ჰასან არბაქეში" (1966, ორივეს რეჟ. ბ. ქიმიაგაროვი) და სხვ. 70-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა ეროვნ. კინორეჟისურა. ფილმები შექმნეს მ. არიფოვმა („წინაპრების საიდუმლოება", 1972), ს. ჰამიდოვმა („შეხვედრა ბველ მეჩეთთან", 1969, „ციხე ფავიაქის ლეგენდა", 1971) და სხვ. თანამედროვეობას, მის მორალურ-სულობრივ პრობლემებს მიეძღვნა ფილმები „ფერფლის ქვეშ ცეცხლია" (1967, რეჟ. რაჰიმოვი), „ერთი სიცოცხლე არ კმარა" (1974, რეჟ. ბ. ქიმიაგაროვი) და სხვ. ბოლო წლების ფილმებიდან აღსანიშნავია „დამნაშაეე და ადვოკატი" (1981, რეჟ. ი. იუსუფოვი), „რევოლუცია, ჩემო სიყვარულო" (1981, რეჟ. ო. თულაევი) და სხვ. საგრძნობლად გაიზარდა დოკუმენტურ-ქრონიკალური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების წარმოება. 1962 შეიქმნა ტაჯ. სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 465. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—IV, გვ. 656—657.

ტაჯიკეთის უნივერსიტეტი ვ. ი. ლენინის სახელობისა, დაარსდა 1948 დუშანბეში. 1957 უნ-ტს მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი. 1983 უნ-ტში იყო მექან.-მათ., ფიზ., ქიმ., ბიოლ., გეოლ., ისტ., ტაჯ. ფილოლ., რუს. ენისა და ლიტ-რის, აღმოსავლური (სპარს., არაბ.) ენების, ეკონ., იურიდ. ფაკ-ტები; საღამოს, დაუსწრებელი და მოსამზადებელი განყ-ბები, ასპირანტურა; 68 კათედრა, 3 პრობლემური ლაბორატორია, ბოტან. ბაღი, გამთოველითი ლაბორატორია, სამეცნ.-კვლ. სექტორი; ბ-კა (700 ათ. ტ.); სწავლობდა 11 ათ-ზე მეტი სტუდენტი, მუშაობდა 850-ზე მეტი მასწავლებელი და მეცნ. მუშაკი, მ. შ. ტაჯ. სსრ მეცნ. აკად. 10 აკადემიკოსი და წ.-კორ., 28 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 400 მეცნ. კანდიდატი და დოცენტი. უნ-ტი გამოსცემს „სამეცნიერო წერილებს" (1952-იდან).

ტაჯიკური ენა, ტაჯიკების ენა. განეკუთვნება ირან. ენათა ოჯახის სამხრ.-დასავლურ ჯგუფს. ძირითადად გავრცელებულია ტაჯ. სსრ-ში, აგრეთვე უზბეკეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, ჩრდ. ავღანეთსა და პაკისტანში. სსრკ-ში ტ. ე-ზე ლაპარაკობს 2898 ათ. კაცი (1979). ტ. ე-ში გამოიყოფა შემდეგი დიალექტური ჯგუფები: ჩრდილოური, ცენტრ. ანუ ზემო

ზარაფშანისა, სამხრეთული, სამხრ.-აღმოსაელური ანუ დარვაზული. ტ. ე-ს მდიდარი წერილობითი ძეგლები მოეპოვება. შუა საუკუნეებში ტაჯ.-სპარს. ენაზე (ფარსი) შეიქმნა მხატვრული ლიტ-რა, რ-იც მსოფლიო საგანძურში შევიდა. დამწერლობა თავდაპირველად შემუშავებული იყო არაბ. ანბანის, 1928-იდან ლათ., ხოლო 1939-იდან რუს. გრაფიკის საფუძველზე. ტ. ე. ფლექსიურ-ანალიზური წყობისაა, აქვს 6 ხმოვანი და 24 თანხმოვანი. არსებითმა სახელმა დაკარგა ბრუნვისა და სქესის კატეგორიები, ზმნას აქვს დრო-კილოთა რთული სისტემა. პირველი წერილობითი ძეგლები თარიღდება IX ს.

ლიტ.: Керимова А. А., Таджикский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 1, М., 1966.

„ტაჯიკფილმი“, კინოსტუდია ტაჯ. სსრ-ში, დუშანბეში. შეიქმნა 1930. პირველად უშვებდა ქრონიკალურ-დოკუმენტურ, 1932-იდან — მხატვრულ (1935-იდან ხმოვან) ფილმებს. 1941—43 დროებით გაერთიანებული იყო კინოსტუდია „სოიუზდეტფილმთან“. იხ. ამგრეთვე *ტაჯიკეთის სსრ, კინო.*

ტაჯა ჰუსეინი (14. XI. 1889, სოფ. ქილუ, ზემო ეგვიპტე, — 28. X. 1973, კაირო), არაბი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, საზ. მოღვაწე, კაიროს არაბ. ენის აკად. პრეზიდენტი (1965), ალექსანდრიის უნ-ტის რექტორი (1943—45). დაიბადა ხელმოკლე ოჯახში, სამი წლისამ დაკარგა მხედველობა. დაამთავრა მუსლ. უნ-ტი ალ-აზჰარი და კაიროს უნ-ტი, სადაც დაიცვა დისერტაცია ალ-მაარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (1914). 1914—18 სორბონის უნ-ტში სწავლობდა ანტ. ფილოლოგიას, ძვ. ენებსა და ფრანგ. ლიტ-რას. 1918 მიენიჭა სორბონის უნ-ტის დოქტორის ხარისხი მონოგრაფიისათვის არაბი ისტორიკოსის იბნ ხალდუნის სოციოლოგიური თეორიის შესახებ. 1908-იდან აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, ლიტ. და პოლიტ. ხასიათის სტატიებს. იგი განეკუთვნება „ეგვიპტელი მოდერნისტების“ ას. სკოლას ლიტერატურათმცოდნეობაში. პირველმა შემოიღო ეგვიპტის არაბ. ლიტ-რაში კვლევის ისტ.-კრიტ. მეთოდი. 1926 გამოსცა გამოკვლევა „ისლამამდელი პოეზია“, სადაც კრიტიკულად არის შესწავლილი და გააზრებული ძვ. ლიტ. ძეგლები, მ. შ. ყურანიც. ამან რეაქციულ წრეებში გამოიწვია გააფთრებული პოლემიკა და მისი დევნაც კი. ტ. ჰ. კრიტ. რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია თანამედროვე არაბ. ლიტ-რაში. ეკუთვნის ავტობიოგრ. ქრონიკები „დღეები“ (ნაწ. 1—2, 1929—39; ნაწ. 3, 1972 და სხვ.), მოთხრობები „შაჰრაზადის სიზმრები“ (1943) და სხვ. 1967 გამოსცა „შემუარები“. ტ. ჰ. ეწეოდა ანტ. კულტურის პოპულარიზაციას. თარგმნა და გამოსცა ანტ. მწერალთა და ფრანგ. განმანათლებელთა თხზულებები სათანადო ანალიზითა და კომენტარებითურთ.

ტ. ჰ-ის თხზულებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. დაჯილდოებულია ეგვ. სახელმწ. პრემიით (1959) და უზენაესი ორდენით — „რესპუბლიკის ვერსაბამი“.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 3, М.—Л., 1956; Cachia P., Taha Husayn· His place in the Egyptian literary Renaissance, L., 1956.

მ. ნედოსპასოვა.

ტაჰირიდები, დინასტია ხორასნის (ირანი) ფეოდალურ სახელმწიფოში 821—873. ტ-ის სახელმწიფოსა და დინასტიის დაარსებულია აბასიანთა ნაცვალი ხორასანში ფეოდალი ტაჰირ იბნ ჰუსეინი (განმგებლობდა 821—822). მისმა ვაჟებმა ტალჰამ (822—828), შემდეგ აბდალაჰმა (828—844) განამტკიცეს სახელმწ. ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. ტ. ნომინალურად აბასიანთა ხალიფის ვასალებად ითვლებოდნენ, მაგრამ ხალიფას სახელმწ. საშინაო საქმეში ჩარევის უფლებას არ აძლევდნენ. გლეხთა დამშვიდებისა და ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცების მიზნით აბდალაჰმა შეზღუდა გადასახადები, ჩაატარა სარწყავი სამუშაოები, ცდილობდა გლეხები და ხელოსნები დაეცვა ფეოდალთა და სახელმწ. მოხელეთა თვითნებობისაგან. ტ-ის სახელმწიფო *საფარიდებმა* დაიპყრეს.

ტბა, ხმელეთის ქვაბულში მოქცეული შენელებული წყალცვლის ბუნებრივი წყალსატევი. დედამიწის ტ-ების საერთო ფართ. 2,7 მლნ. კმ² (ხმელეთის ფართ. დაახლ. 1,8%). წარმოშობის მიხედვით განარჩევენ ტექტონ., ვულკ., მყინვარულ, ჩანაქცევის, ნაგუბარ, მდინარეულ, ზღვიურ, ეოლურ, ანთროპოგენურ ტ-ებს. ტ-ის წყლის ბალანსის მთავარი შემოსავალია აუზის ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენი, აგრეთვე ტ-ის ზედაპირზე მოსული ატმ. ნალექები; გასავალია ტ-ის ზედაპირული და მიწისქვეშა განადენი და აორთქლება ტ-ის ზედაპირიდან. გვალვიან რ-ნებში ტ-ის წყლის დიდი ნაწილი ორთქლდება და ხშირად ტ. მთლიანად შრება. ქარი ტ-ის ზედაპირზე იწვევს ღელვას, დინებებს, წყლის მოდენას და განდევნას. ტ-ის ზედაპირი თბება მზის პირდაპირი და გაბნეული რადიაციით. სიღრმეში სითბოს გადაცემა ხდება წყლის არევისა და დინებების შედეგად. სითბო იხარჯება აორთქლებაზე, ჰაერში სითბოს გადაცემასა და გამოსხივებაზე. ზომიერი ჰავის ზონაში მდებარე ტ-ში ზაფხულობით მყარდება პირდაპირი ტემპ-რული სტრატიფიკაცია: ზედა თბილ ფენასა (ეპილიმნიონი) და ქვედა ცივ ფენას (ჰიპოლიმნიონი) შორის არსებულ ტემპ-რული ნახტომის ფენაში (მეტალიმნიონი) წყლის ტემპ-რა სწრაფად ეცემა: ზამთრობით ამ ტ-ზე შებრუნებული ტემპ-რული სტრატიფიკაციაა: ზედაპირიდან სიღრმისაკენ წყლის ტემპრა იზრდება, ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე შეინიშნება ჰომოთერმია — წყლის ტემპ-რა მთელ სიღრმეზე თანაბარია. ცხელსა და ცივ სარტყლებში ტემპრული სტრატიფიკაცია სეზონურად არ იცვლება, იქ თითქმის მთელი წლის განმავლობაში შესაბამისად პირდაპირი და შებრუნებული სტრატიფიკაციაა. დიდი ტ-ები სითბოს საკმაო მარაგისა და ღელვის გამო მდინარეზე უფრო გვიან იყინება. წყალში გახსნილი მარილების რაოდენობის შესაბამისად განარჩევენ მტკნარ, მომლაშო, მლაშე და თვითმლექ ტ-ებს (იხ. *მინერალური ტბა*). წყალში არსებული მინერ. და ორგ. ნაწილაკების დალექვის შედეგად ხდება ტ-ის დალამა და მის ფსკერზე წარმოიქმნება *ტბიური ნალექები*. წყალში შეტივტივებული მინერ. და ორგ. მარილის რაოდენობაზე არის დამოკიდებული წყლის ფერი და გამჭვირვალობა. ცისფერი და ძლიერი გამჭვირვალობა (40 მ-მდე ბაიკალში) აქვს სუფთა წყალს. ბიოლ. პროდუქტიულობის მიხედვით განარჩევენ: ბიოგენური ელემენტებით მდიდარ, მაღალპროდუქტიულ (ევტროფულ), ბიოგენური-ელემენტებით ღარიბ, მცირეპროდუქტიულ (ოლიგოტროფულ) და ჰუმინური ნივთიერებებით მდიდარ (დისტროფულ) ტ-ებს. ევოლუციის პროცესში ტ. ამოივსება ლამით, იფარება შამბით და ნოტიო ჰავის პირობებში გადაიქცევა ჭაობად, მშრალ ჰავაში — მლაშობად. ტ-ის წყლის რესურსებს და სხვა პროდუქტებს ფართოდ იყენებენ სახ. მეურნეობაში.

ლიტ.: Ахазава И. С., Озера Грузии, Тб., 1975; Доманицкий А. П., Дубровина Р. Г., Исаева А. И., Реки и озера Советского Союза, Л., 1971.

ტბა, სოფელი ბორჯომის რ-ნში, მდ. ბორჯომულის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., ლიბანი, სადგური, ცემი). ზ. დ. 1100 მ, ბორჯომიდან 9 კმ, ცემიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 კმ. სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა დაბა წაღვერში (5 კმ). ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ტ. ადგილ. მნიშვნელობის მთის კლიმ. კურორტია. იცის ცივი თოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —4,3°C) და ხანგრძლივი გრილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 17,2°C). სამედ. ჩვენება: სუნთქვის ორგანოთა დაავადებანი, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში. ზაფხულში ტ-ში მუშაობს პიონერთა ბანაკები და ბავშვთა სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი. ტურბაზა.

გ. უშვერიძე.

ტბათანა, მთა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ-ების ქვაჩადალისა და ბაწარის (ალაზნის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2300 მ. აგებულია ქვედა და შუაიურული ფიქლებით. მთის ზემო და შუა კალთებზე ალპ. და სუბალპ. საძოვრებია, ქვემოთ — წიფლის ტყეები.

ტ-ის დამრეც ფერდობებზე წოვათუშების საზაფხულო აგარაკებია.

გ. კურდღელაიძე.

ტბათანა, ქართულ წყაროებში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელი — მაღალმთიანი საძოვარი მდ-ების ალაზნისა და ილტოს სათავეებში. აქ გადის წოვათუშების უძველესი სამესაქონლეო ტრასა — „ცხვრის გზა“ — შირაქის საზამთრო საძოვრებიდან თუშეთის იალაღებისკენ.

ტბათმცოდნეობა, ლიმნოლოგია (<ბერძნ. limnē — ტბა და ...ლოგია), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დარგი, რ-იც შეისწავლის შენელებული წყალცვლის წყალსატევებს (ტბებს, წყალსაცავებს) და მათში მიმდინარე ფიზ.,

მსოფლიოს უდიდესი ტბები

სახელწოდება	სიმაღლე ზღვის დონიდან, მ	ფართობი ათ. კმ²	მაქსიმალური სიღრმე, მ
ევრაზია			
არალის ტბა	53	64,5	67
ბაიკალი	456	31,5	1620
ბალხაში	340	22—17	26
ლადოგის ტბა	4	17,7	230
ონეგის ტბა	33	9,7	120
დუნთინხუ	25	12—4	—
საპი (ტონლესაპი)	12	10—2,5	14
ისიქ-ქოლი	1608	6,2—6,3	702
აფრიკა			
ვიქტორია	1134	68,0	80
ტანგანიკა	773	34,0	1470
ნიასა (მალავი)	472	30,8	706
ჩადი	281	26—10	11—4
რუდოლფი	375	8,5	73
ჩრდილოეთი ამერიკა			
ზემო ტბა	183	82,4	393
ჰურონი	177	59,6	208
მიჩიგანი	177	58,0	281
დიდი დათვის ტბა	119	30,0	137
მონების დიდი ტბა	150	28,6	150
ერი	174	25,7	64
უინიპეგი	217	24,3	28
ონტარიო	75	19,5	236
ნიკარაგუა	32	8,4	70
სამხრეთი ამერიკა			
მარაკაიბო	0	16,3	250
ტიტიკაკა	3812	8,3	304
ავსტრალია			
ეირი	12	15-მდე	—



ტბეთი (ამბროლაურის რაიონი). მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია. X—XI სს. დასავლეთის კედელი.



ტბეთი (შიდა ქართლი). ეკლესიის ნანგრევები. X—XI სს. მიჯნა.

ქიმ. და ბიოლ. პროცესების კომპლექსს. წყალსატევების კვლევისას ტ. იყენებს ჰიდროქიმ., ჰიდროფიზ., ჰიდრობიოლ., გეოლ. და სხვა მეთოდებს. ტ-ის მთავარი ამოცანაა წყალსატევის ქვაბულის აგებულების და ცვლილების, ფსკერული ნალექების, ჰიდროლ. რეჟიმის, ჰიდროქიმ. თავისებურებათა, თერმული და ყინულის რეჟიმის, წყლისა და სითბური ბალანსის და სხვ. შესწავლა. ტ. იყენებს ტბის სადგურების, ჰიდრომეტეოროლ. ობსერვატორიებისა და საექსპედიციო დაკვირვებათა მასალებს. ტ-ის თეორ. და გამოყენებითი პრობლემები მუშავდება სსრკ მეცნ. აკად. ტბათმცოდნეობისა და შიგა წყლების ბიოლ. ინ-ტებში, სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის ლიმნოლოგიურ ინ-ტში და სხვ. ტ-ის ფუძემდებელია ფ. *ფორელი*, რ-მაც შექმნა ტ-ის პირველი სახელმძღვანელო. რუსეთში ტ-ის ფუძემდებლები არიან დ. ანუჩინი და ლ. ბერგი. ტ-ის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს საერთაშ. ლიმნოლოგიური კონგრესები და სიმპოზიუმები, რ-ებსაც რეგულარულად (1922-იდან) იწვევს თეორ. და გამოყენებითი ლიმნოლოგიის საერთაშ. ორგანიზაცია. ტ-ის კვლევის შედეგებს იყენებენ სახ. მეურნ. მთელ რიგ დარგებში.

ლიტ.: Богословский Б. Б., Озероведение, М., 1960; Форель Ф. А., Руководство по озёроведению, пер. с нем., СПб., 1912; Хатчинсон Д., Лимнология, пер. с англ., М., 1969.

ტბეთი, მთა მდ-ების ჩირუხისწყლისა და ტბეთის წყალგამყოფ ნამწვარევის ქედზე. სიმაღლე 2464 *მ*. გუმბათისებრი ფორმისაა. აგებულია ეოცენური ტუფ-ბრექჩიებით. ქვემო კალთები შემოსილია მერეული ტყით, შუა და ზემო—სუბალპ. მდელოებით; იყენებენ სათიბ-საძოვრებად. *ქ. ჯაფელი.*

ტბეთი, კულტურის კერა, რელიგიური ცენტრი შუა საუკუნეების საქართველოში, ისტ. *შავშეთში* (ახლანდ. თურქ. ტერიტ.); სახელწოდება წარმოდგება მცირე ტბებიდან. X ს. დასაწყისში ერისთავთ-ერისთავმა *აშოტ კუხმა* აქ საკათედრო ტაძარი ააგო და დანიშნა პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი (ტბეთის ეპარქიაში შედიოდა შავშეთი და აჭარის ნაწილი). XI ს-ში ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა მხარე **ბიზანტ.** აგრესიისაგან. ამიერიდან სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ ეპისკოპოსს საერო ხელისუფლებაც — შავშეთის ერისთავობაც უბოძა. ტ-ში გაშლილი იყო მნიშვნელოვანი კულტ.-საგანმ. საქმიანობა; აქ შეიქმნა *სტეფანე მტბევარის* ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი“ (914—918), *იოანე მტბევარის* ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები (X ს.). აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები დავით ტბელი, არქიპოსი, აკვილა მტბევარი, იოანე ფუკარალის ძე (ორივე XI ს.), *აბუსერიძე ტბელი* და სხვ. ტ-ის ხელნაწერებიდან უმნიშვნელოვანესია ტბეთის სახარება (995), რ-იც ამჟამად ლენინგრ. საჯარო ბ-კაში ინახება. შემორჩენილია აგრეთვე „ტბეთის სულთა მატიანის“ ტექსტი (XII—XVII სს.), რ-იც მდიდარ მასალას შეიცავს შავშეთისა და აჭარის ისტ. გეოგრაფიისა და საგვარეულოთა შესახებ. XX ს. დასაწყისში ტ. მოინახულეს და აღწერეს (ჯვარგუმბათიანი ტაძარი, მოხატული ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით) ქართული კულტურის მკვლევრებმა ნ. მარმა და გ. ყაზბეგმა.

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

დ. ბერძენიშვილი. ლ. მენაბდე.

ტბეთი, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ღადიშის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 760 *მ*, ამბროლაურიდან 28 *კმ*. ღადიშის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ჭრებალოში (10 *კმ*). ბ-კა. კლუბი.

სოფელში შემონახულია X—XI სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი—მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია. ეკლესიაზე ლაპიდარული წარწერაა.

ტბეთი, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (უჩამბის სოფსაბჭო), მდ. უჩამბისწყლის (ჩირუხისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1220 *მ*, შუახევიდან 13 *კმ*. ფ. ენგელსის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ტბეთი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (ხეთაგუროვის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკის უკიდურეს ჩრდ. ნაწილში. ზ. დ. 900 *მ*, ცხინვალიდან 3,5 *კმ*. ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა. ტ. ისტ. შიდა ქართლის ერთ-ერთი ძვ. სოფელია. აქედან მოდის დიდგვაროვან აზნაურთა — ტბელთა გვარი.

ტ-ში არის X — XI სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ტბელი ერისთავების რეზიდენცია. შემორჩენილია ციხესიმაგრისა და ეკლესიის (ე. წ. ბორცვისჯვრის) ნანგრევები. ტაძრის მოჩუქურთმებული და წარწერებიანი ქვები, რ-თაგან ნაწილი X ს. დასაწყ. მიეკუთვნებოდა, 1920-იან წლებში გაიფანტა [ჩუქურთმიანი ქვები ცხინვალის საავადმყოფოს კედლებშია ჩართული, წარწერიანი ქვები დაიკარგა (ცნობილია ვ. თოფურიას პუბლიკაციით), ხოლო არქიტრავი (X—XI სს. მიჯნა) დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში]. არქიტრავის წარწერიდან ირკვევა, რომ ტაძარი აუშენებია პატრიკ ტბელს — ქავთარ ტბელის შვილს. წარწერაში მოხსენიებული არიან ამ გვარის სხვა წარმომადგენლებიც.

ლიტ.: Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида-Картли, Тб., 1975.

ტბეთი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (სინაგურის სოფსაბჭო), მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, ჯავიდან 41 *კმ*, საჩხერიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ*. სინაგურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ზემო ქარზმანში (2 *კმ*).

ტბელები, დიდ აზნაურთა საგვარეულო IX—X სს. საქართველოში. სახელწოდება მიიღეს თავიანთი მამულიდან — შიდა ქართლის ტბეთიდან (ახლანდ. ცხინვალის რ-ნი). X ს-ში ტ. ყველაზე ძლიერი ფეოდ. საგვარეულო იყო შიდა ქართლში. საფეოდალო მდებარეობდა ლიახვის ხეობაში (სოფლები — ტბეთი, ერედვი, ნიქოზი, ბორცვისჯვარი, დოდოთი და სხვ.). მათი საგვარეულო ტაძრები იყო ერედვის წმ. გიორგის, სოფ. დოდოთის ცხრაკარისა და სოფ. ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიები (X ს. დასაწყ., ახლანდ. ცხინვალის რ-ნი). საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი ივანე *ტბელი* (X ს. I მეოთხედი) ქართლის ფეოდალსენიორი და ერისთავი ყოფილა. შემდეგში ტ-მა დაკარგეს ერისთავობა (ქართლის ერისთავებად აფხაზთა მეფეები ნიშნავდნენ დას. საქართველოს დიდ ფეოდალებს), მაგრამ მაინც ძლიერ ფეოდალურ სახლს წარმოადგენდნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ როგორც აფხაზთა (დას. საქართველო) მეფეების, ისე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მისწრაფებას, ხელთ ეგდოთ ქართლი. 920-იან წლებში ტ-მა მხარი დაუჭირეს ქართლის გამგებელს *კონსტანტინეს* (კოსტანტი), აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ძეს, მამის წინააღმდეგ აჯანყებაში. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მეფე გიორგიმ სასტიკად დასაჯა შვილი, ზოგიერთი ტ. მშვიდობით გაუშვა, ზოგი კი ვასპურაკანში გადაასახლა. შესაძლოა, ვასპურაკანში გადასახლებული ტ-ის შთამომავალი იყოს XIII ს-ში სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში მოხსენიებული ივანე ტბელი, რ-იც ვასპურაკანის ველაქალაქ დვინში ცხოვრობდა. X ს. 80-იან წლებში ტ. სათავეში ჩაუდგნენ ქართლის აზნაურების ბრძოლას ბაგრატ III-ის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდნენ. საგვარეულოში ყველაზე გავრცელებული სახელები იყო ქავთარი და ივანე, გხვდება აგრეთვე პატრიკი, ოქროპირი და აბაზი. სახელი „პატრიკი“, შესაძლოა, ‹მის მაჩინშნებელი იყოს, რომ ტ-ს IX ან X ს-ში ჰქონდათ ბიზანტიური ტიტული ‚პატრიკი“ (VII ს-ში გამოითქმოდა როგორც „პატრიკიოსი“), რ-იც შემდეგ საკუთარ სახელად იქცა ამ საგვარეულოში. სახელი „აბაზი“ საფუძველს იძლევა ტ-ის საგვარეულოსთან XI ს. ქართლის ერისთავთა *აბაზასძეთა* დასაკავშირებლად (შესაძლოა, ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიის ამჟამად დაკარგულ წარწერაში მოხსენიებული აბაზ ტბელის ძე ივანე არის იგივე ივანე *აბაზასძე*). ზოგიერთი მონაცემით, ტ-ს უკავშირდება ქართლის მეორე წარჩინებული საგვარეულო — *ფაცელები*, რ-თა მემკვიდრეები — *სურამელებიც* ქართლის ერისთავები იყვნენ XIII ს-ში.

წყარო-: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ერედვის, დოდოთის და ტბეთის წარწერები, წგნ.: ქართული წარწერების კორპუსი, წგნ. 1 (V—X სს. ლაპიდარული წარწერები), ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980. *ნ. შოშიაშვილი.*

ტბელი ივანე, ქართლის დიდი აზნაური X ს. I მეოთხედში. სოფ. ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერაში ის მოხსენიებულია როგორც ქართლის უფალი (აფხაზთა მეფის კონსტანტინეს შიდა ქართლში ბატონობის დროს). მის მიერ აშენებულ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის სამშენებლო წარწერაში იხსენიება ერისთავად, ე. ი. ტ. იყო არა მარტო უფალი (ფეოდალ-სენიორი), არამედ გამგებელ-მოხელეც (ქართველთა ერისთავი), დანიშნული ალბათ აფხაზთა მეფის მიერ.

X ს. 20-იან წლებში ტბელებმა (ალბათ ივანემ და მისმა ხუთმა ძემ) მონაწილეობა მიიღეს ქართლის გამგებლის კონსტანტინეს (კოსტანტი) აჯანყებაში მისი მამის, აფხაზთა მეფე გიორგი II-ის წინააღმდეგ. აჯანყებულები დამარცხდნენ. *ნ. შოშიაშვილი.*

ტბელი ქავთარ I, ქართლის დიდი აზნაური X ს. I ნახევარში, ივანე *ტბელის* უფროსი ძე. ქართლის გამგებლის კონსტანტინეს (კოსტანტი), აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ძის, განდგომის შემდეგ, რაშიც მას მხარი დაუჭირეს ტბელებმაც, გიორგი მეფემ ტბელების ნაწილი ვასპურაკანში განდევნა, ქავთარი კი, როგორც ჩანს, ქართლში დარჩა ტბელების სახლის უფროსად. *ნ. შოშიაშვილი.*

ტბელი ქავთარ II, ქართლის დიდი აზნაური X ს. II ნახევარში. სხვა აზნაურებთან ერთად იბრძოდა ქართლში აფხაზთა მეფისა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ხელისუფლების დამკვიდრების წინააღმდეგ. X ს. 80-იან წლებში მისი წინამძღვრობით ქართლის აზნაურებმა მოღრისთან ბრძოლა გაუმართეს დას. საქართველოდან ქართლში მომავალ ბაგრატ III-ს. ქართლის აზნაურები დამარცხდნენ, რის შემდეგაც ბაგრატ III-მ, როგორც ჩანს, მკაცრად დასჯა ტ. და ჩამოართვა ყმა-მამულის ნაწილი. ტ-ის შთამომავალი უნდა იყოს ქართლის ერისთავი ივანე აბაზასძე (XI ს. 30-იანი წწ.).

ნ. შოშიაშვილი.

ტბისი, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (ჩხიკვთის სოფსაბჭო), მდ. ალგეთის ხეობაში. ზ. დ. 760 *მ*, თეთრი წყაროდან 15 *კმ*. სოფ. ჯორჯიაშვილის მერძეეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ჩხიკვთაში (7 *კმ*). საფერშლო პუნქტი. მახლობლად არის *ბირთვისის* ციხესიმაგრე.

„ტბის სკოლა“ (The lake school of poets), ინგლისელ რომანტიკოს პოეტთა დაჯგუფება XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყისში; აერთიანებდა პოეტებს უ. *უორდზუორთს*, ს. *კოლრიჯსა* და რ. *საუთის*. მათ „ლეიკისტებს“ (lake — ტბა) უწოდებდნენ, რადგან ერთხანს ჩრდ.-დას. ინგლისში, ტბებით მდიდარ კამბერლენდის მხარეში ცხოვრობდნენ. „ტ. ს-ის“ ესთეტიკურ-მანიფესტად იქცა უ. უორდზუორთისა და ს. კოლრიჯის კრებულის „ლირიკული ბალადების“ II გამოცემის (1800; I გამოც., 1798) წინასიტყვაობა. ლეიკისტები განმანათლებლურ რაციონალიზმს უპირისპირებდნენ ირაციონალიზმს, პასიურობას, ქრისტ. რწმენას. მათი პოლიტ. პოზიცია მერყეევი აღმოჩნდა — თავდაპირველად აღტაცებით მიესალმნენ საფრ. ბურჟ. რევოლუციას, შემდეგ კი რევ. იდეოლოგიისა და პრაქტიკის განსჯის პოზიციებზე დადგნენ (კოლრიჯისა და საუთის ერთობლივი დრამა „რობესპიერის დაცემა“, 1794). განადიდებდნენ რაინდულ შუა საუკუნეებს, პატრიარქალურ ყოფას. მათი მისტიკა და ფანტასტიკა გახდა ჯ. გ. ბაირონის სატირის ობიექტი („ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველელები“). XIX ს. 20-იანი წლებისთვის „ტ. ს.“ დაიშალა.

ლიტ.: Елистратова А. А., Наследия английского романтизма и современность, М., 1960; История английской литературы, т. 2, в. 1, М., 1953, гл. 2.

ტბიური ნალექები, დანალექი წარმონაქმნები თანამედროვე და წარსულ გეოლოგიურ ეპოქებში არსებული ტბების ფსკერზე. ტ. ნ-ს ახასიათებს ლინზისებურად განლაგება და ჰორიზ. შრეებრიობა. მასალა კარგადაა დახარისხებული, ტბიური და ხმელეთის ორგანიზმების ნაშთები მცირეა. მჭიდროდაა დაკავშირებული ალუვიური და კონტინენტური ნალექების სხვა ტიპებთან. მტკნარ ტბებში ილექება წვრილმარცვლოვანი მექან. ნალექები, თიხები, აგრეთვე საპროპელი, დიატომიტი, კალციუმის კარბონატი, რკინის ჰიდროჟანგეულები; მლაშე და მომლაშო ტბებში— სხვადასხვა კარბონატი, ჰალიტი, თაბაშირი; გაუდინარ ტბებში — დოლომიტიანი ნალექები, ზოგჯერ სოდა.

ტბორული თევზმეურნეობა, მეურნეობა, სადაც აშენებენ სწრაფმზარდი თევზის სახეობებსა და ჯიშებს სპეციალურად შექმნილ ტბორებსა და ტბორებად გამოყენებულ ბუნებრივ წყალსატევებში. განასხვავებენ თბილწყლიან და ცივწყლიან ტ. თ-ს. პირველში ზრდიან სითბოს მოყვარულ თევზებს — კობრს, თეთრ ამურს, ჩვეულებრივ ანუ თეთრ და ჭრელ სქელშუბლას, ტარაღანას, ფარგას და სხვ.; მეორეში — ცისარტყელა და მდინარის კალმახს. თ. მ. შეიძლება იყოს სრულსისტემიანი და არასრულსისტემიანი. სრულსისტემიან მეურნეობაში შექმნილია სხვადასხვა დანიშნულების ტბორი — სადედე, სატოფო, სალიფსიტე, დასაზამთრებელი და სანასუქო. სადედე ტბორში ინახავენ მწარმოებლებს და მათ შემსვეს ანუ ე. წ. სარემონტო თევზებს. სატოფოში ხდება ტოფობა, სალიფსიტეში გაზაფხულიდან დაზამთრებამდე ზრდიან ლიფსიტებს, დასაზამთრებელ ტბორში თევზი (ძირითადად ლიფსიტები) გამოიზამთრებს; სანასუქო ტბორში ზრდიან სასაქონლო თევზს (გაზაფხულზე იქ გადაყვანილ ერთწლიან თევზებს ზრდიან და ასუქებენ შემოდგომამდე). არასრულსისტემიან ტ. თ-ში ზრდიან ლიფსიტებს ან სასაქონლო თევზს. სალიფსიტე მეურნეობას აქვს სხვადასხვა დანიშნულების ტბორი: სადედე, სატოფო, გამოსაზრდელი და დასაზამთრებელი.

განასხვავებენ ექსტენსიურ და ინტენსიურ ტბორულ მეურნეობას. ექსტენსიურ მეურნეობაში თევზპროდუქციის გამოსავლიანობის გაზრდა ხდება ტბორის ფართობის გადიდებისა და ბუნებრივი საკვების ხარჯზე, ხოლო ინტენსიურ მეურნეობაში თევზპროდუქცია იზრდება ტბორის ფართობის გაუდიდებლად, კერძოდ, ტბორის მელიორაციის, განოყიერების, ხელოვნური საკვების დამატებისა და ტბორში თევზის პოლიკულტურის დანერგვის ბაზაზე. ექსტენსიური მეურნეობა ტბორის 1 ჰა ფართობიდან იძლევა 1—2 ც სასაქონლო თევზს, ხოლო ინტენსიფიკაციის გზით — გაცილებით მეტს — 20—70 ც-ს.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სატბორო თევზმეურნეობა კარგადაა განვითარებული იაპონიაში, აშშ-ში, დანიაში, ნორვეგიაში, გდრ-ში, გფრ-ში, უნგრეთში, იუგოსლავიაში და სხვ. აშშ-ში უმთავრესად ლოქოსა და კალმახს ამრავლებენ, დანიასა და იაპონიაში — კალმახს. საქართველოში ტ.თ. აღმავლობის გზაზეა. შექმნილია რამდენიმე ათეული საკობრე და 2 საკალმახე მეურნეობა — აფხ. ასსრ-ში (გუდაუთის რ-ნის შავწყალის საკალმახე მეურნეობა) და ქარელის რ-ნის სოფ. რუისში (სადაც აშენებენ ცისარტყელა კალმახს).

ლიტ.: თევზის ხელოვნური გამოზრდა ტბორებში, თბ., 1961 (ავტ.: ო. ბურჭულაძე, ს. გოგოტიშვილი, ნ. ნინუა, ო. ცხომელიძე); Суховерхов Ф. М., Сиверцов А. П., Прудовое рыбоводство, М., 1975.

ზ. დემატრაშვილი.

ტებაულო, უღელტეხილი პირიქითის ქედზე. სიმაღლე 3370 *მ*. ტ-ს მიდამო აგებულია ლიასის თიხაფიქლებით. თხემური ნაწილი კლდოვანია, მოკლებულია მცენარეულ საფარს, ქვემოთ ალპ. საძოვრებია. მდ. პირიქითის ალაზნის სათავეს (ქვახიდის მიდამოებს) აკავშირებს ჩრდით მდებარე ტებულოს ხეობასთან (ქისტეთი).

გ. ყურდღელაიძე.

ტებულოს მთა, დაქუეხი, მთა პირიქითის ქედის დას. ბოლოზე. სიმაღლე 4495 *მ*. პირამიდის ფორმისაა. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ტ. მ-იდან მდებს არღუნისა და პირიქითის ალაზნის ხეობებში ეშვება მყინვარები. დაფარულია მარადი თოვლითა და მყინვარებით.

ლ. მარუაშვილი.

ტეგანი (Ruta), მცენარეთა გვარი *ტეგანისებრთა* ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახები და ნახევრად ბუჩქებია. აქვთ ყვითელი, ნავისებრი გვირგვინის ფურცლები და კოლოფი ნაყოფი; 60-მდე სახეობა უმთავრესად ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაშია გავრცელებული, სსრკ-ში ამ გვარის მხოლოდ ერთი სახეობა გვხვდება — R. graveolens; იზრდება ქვიან, ღორღიან ფერდობებზე. შხამიანია. შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ფლავონოიდ რუტინს. იგი კულტივირებულია საქართველოში. ტ-ის ზოგიერთი სახეობა სამკურნალოა, ზოგი სახეობის ფოთოლში დიდი რაოდენობით არის C ვიტამინი.

ც. ლეონიაშვილი.

ტეგანისებრნი (Rutaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მეტწილად ხეები ან ბუჩქებია, იშვიათად — ბალახები. მორიგეობით ან მოპირისპირედ განლაგებული მარტივი ან რთული ფოთლები აქვთ, რ-ებიც წერტილოვანი ეთერზეთოვანი ჯირკვლებითაა მოფენილი. ოჯახი მოიცავს 150-მდე გვარის 1600-მდე სახეობას, რ-ებიც უმთავრესად ტროპიკებსა და სუბტროპიკებშია გავრცელებული. სსრკ-ში 5 გვარის 40-მდე სახეობაა, საქართველოში— 2 გვარის 4 სახეობა. ტ-თა ზოგი სახეობა სამკურნალოა, ზოგი დეკორ., ზოგი (იფნურა) კანის სიდამწვრეს იწვევს, ზოგს ძვირფასი მერქანი აქვს (ტროპ. ქვეყნებში). კულტ. მცენარეთაგან ამ ოჯახს განეკუთვნება ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი და სხვ.

ც. ლეონიაშვილი.

ტეგნერი (Tegnér) ესაიას (13. XI. 1782, ჩიურკერუდი, ვერმლანდი, — 2. XI. 1846, ესტრაბუ, ვექშეს მახლობლად). შვედი პოეტი. შვეციის აკად. წევრი 1818-იდან. მის შემოქმედებაში შეინიშნება რომანტ. და კლასიცისტური მოტივების თანაარსებობა. გონების კულტით უახლოვდება განმანათლებლობის ესთეტიკას. ტ-ის საუკეთესო თხზულება „ფრიტიოფის საგა“ (1819—25) შვედური რომანტიზმის ძირითადი ნაწარმოებია და თავისებურ შვედურ ეპოსადაა მიჩნეული. მას საფუძვლად დაედო ძვ. ისლ. საგა. მომდევნო ნაწარმოებებში შესამჩნევია პესიმისტური და მიზანთროპული განწყობილება (ლექსები „მელანქოლია“, 1825 ან 1826, „მიცვალებული“, 1834 და სხვ.). საინტერესოა მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა.

ტეგუსიგალპა (Tegucigalpa), ჰონდურასის დედაქალაქი, ქვეყნის პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია ჩოლუტეკის ხეობაში, დაახლ. 1000 *მ* სიმაღლეზე. ჰავა ტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 19,6°C, ივლ. 22,6°C. ნალექები 1047 *მმ* წელიწადში. 502,5 ათ. მცხ. (1981). საავტ. გზების კვანძი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. კვების, საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ხე-ტყის სახერხი მრეწვ., საშენ მასალათა და ასანთის წარმოება. დააარსეს ესპანელებმა XVI ს. II ნახევარში ვერცხლის საბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ქალაქს აქვს რეგულარული დაგეგმარება, ბევრია ქუჩა-კიბე. განაშენიანებულია კაშკაშა ფერებით შეღებილი ერთსართულიანი სახლებით. ცენტრში ფ. მორასანის ძეგლი და მისივე სახ. პარკია, მახლობლად — სან-მიგელის ეკლესია (XVIII ს. შუა წლები — 1765, არქიტ. ი. კიროსი). XX ს. შუა წლებში აშენდა ბევრი ახ. თანამედროვე შენობა და კომპლექსი (ეროვნ. თეატრი, პარლამენტი, პრეზიდენტის სასახლე).

ტ-ში არის ჰონდურასის ეროვნ. ავტონ. უნ-ტი, პანამერ. სას.-სამ. სკოლა, ჰონდურასის აკადემია, ინ-ტები, ეროვნ. ბ-კა, ეროვნ. მუზეუმი.


ტევადობითი გადამწოდი, ხელსაწყო, რ-იც არაელექტრულ სიდიდეებს (სითხის დონეს, მექან. ძალვას, წნევას, ტენიანობასა და სხვ.) გარდაქმნის ელექტრული ტევადობის მნიშვნელობებად და ზომავს მათ. კონსტრუქციულად ტ. გ. წარმოადგენს ბრტყელპარალელურ ან ცილინდრულ ელექტრულ *კონდენსატორს* (ნახ.). ტ. გ-ებს განასხვავებენ ამა თუ იმ სიდიდეთა ცვლილებაზე დამყარებული მოქმედების პრინციპის მიხედვით. უფრო ხშირად ტ. გ-ს იყენებენ ცვლადი წნევისა და დონის გასაზომად, მექან. გადაადგილებათა ზუსტი გაზომვისათვის და ა. შ.


ტევადობის საზომი, კონდენსატორების, ელექტრონული და ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების, კაბელების, სადენებისა და მისთ. ელექტრული ტევადობის საზომი ხელსაწყო. ტევადობის გაზომვის სხვადასხვა მეთოდთა შორის ყველაზე ზუსტია ბოგური მეთოდი (იხ. *საზომი ხიდი*). გასაზომი ტევადობა (C_x) ჩაირთვება საზომი ბოგის მხარში (ნახ.). ბოგის ერთ-ერთ დიაგონალს აწვდიან ცვლადი დენის ძაბვის ჩაშენებული გენერატორიდან, მეორე დიაგონალს კი მიუერთებენ ბალანსის ინდიკატორს. ბოგას აწონასწორებენ სანიმუშო ტევადობით ბალანსის ინდიკატორის წვენებათა მინიმუმის მიხედვით. გაზომვის ცდომილება 1%-მდეა.

ტევტონები (ლათ. Teutoni, Teutones), გერმანული ტომები. ძვ. წ. II ს. დამლევს დაიძრნენ იუტლანდიის ნ. კ-იდან და სამხრ. გალიაში შეიჭრნენ. აქ ისინი შეუერთდნენ *კიმბრებს* და მათთან და სხვა




ტეგანი (Ruta graveolens)





ტევადობითი გადამწოდი. გადაადგილების ტევადობითი გადამწოდები: ა — ბრტყელპარალელური, ბ— ცილინდრული; 1,2 — კონდენსატორის შემონაფენები; 3—საცეცი; 4 — საკეცევი ზედაპირი.




ტევადობის საზომი. ტევადობის საზომის ბლოკ-სქემა: გ—ცვლადი დენის გენერატორი; ბ — საზომი ბოგა; ბი—ბალანსის ინდიკატორი, მ — მაძლიერებელი; C_x—საზომი ტევადობა; C_0—სანიმუშო ტევადობა; R_1, R_2—რეზისტორები; 1, 2, 3, 4—ბოგას მხრები.




ჯ. ი. ტეილორი.

ტელეგრაფის აპარატი



ნახ. 1. ტელეგრაფის აპარატის გადამცემის სტრუქტურული სქემა: 1—ინფორმაციის წყარო; 2—მაკოდირებელი მოწყობილობა; 3—ამკრები მოწყობილობა; 4—მანაწილებელი; 5—გამოსავალი მოწყობილობა; 6—ამძრაველი; 7—მმართველი მოწყობილობა; 8—სასამსახურო ელემენტების გადამწოდი.



ნახ. 2. ტელეგრაფის აპარატის მიმდევრობის სტრუქტურული სქემა: 1 — შესავალი მოწყობილობა; 2—მანაწილებელი; 3—ამკრები მოწყობილობა; 4—გამშიფრავი; 5—საბეჭდი მოწყობილობა; 6 — ამძრაველი; 7 — მმართველი მოწყობილ. აპა.

გერმ. ტომებთან ერთად ჩრდ. იტალიისაკენ გაემართნენ. ძვ. წ. 102 რომაელმა სარდალმა გაიუს მარიუსმა დასახლ. Aquae Sestiae-სთან (ლათ.—სესტიუსის წყლები; ახლანდ. ქ. ექსი, Aix, მარსელის მახლობლად) სასტიკად დაამარცხა ტ., რის შემდეგ ისინი, როგორც ტომები, აღარ იხსენიებიან. ტ-ს უწოდებდნენ საერთოდ გერმანელებსაც.

ტევტონთა ორდენი (სრული ლათ. სახელწ. — Ordo domus Sanctae Mariae Teutonicorum). გერმანული ორდენი (Deutscher Orden). ჯვაროსანთა ორდენი (Kreuzritter orden), გერმანული კათოლიკური სასულიერო-რაინდული ორდენი. შეიქმნა XII ს-ში, ჯვაროსნული ომების დროს, პალესტინაში. 1198 დაამტკიცა პაპმა ინოკენტი III-მ. XIII—XV სს-ში ტ. ო. ფეოდ. ექსპანსიას ახორციელებდა აღმ. ევროპაში. დიდძალ მიწებს ფლობდა გერმანიასა და სამხრ. ევროპაში. 1237 აღმ. ბალტიისპირეთში ტ. ო-ს შეუერთდა განადგურებულ მახვილოსანთა ორდენის ნარჩენები. ტ. ო-ის გაწმტოებას წარმოადგენდა *ლივონიის ორდენი*. 1283 ტ. ო-მა პრუსები დაიმორჩილა. 1309 — აღმ. პომორიე გდანსკით, 1346 — ესტლანდია, 1382 — 98 — ჟემაიტია, 1398 — კ. გოტლანდი, 1402 — ახალი მარკა. ტ. ო-ის მსხვილი ფეოდ. სამხ.-კოლონ. სახელმწიფო ჩამოყალიბდა ბალტიისპირეთში; ამ სახელმწიფოს საზღვრები გადაჭიმული იყო ვისლიდან ნარვამდე. ორდენის წევრები დაპყრობილ მიწებზე გამაგრებულ ციხესიმაგრეებს აგებდნენ. მკვიდრი მოსახლეობა თითქმის სრულიად ამოჟლიტეს, ნაწილი ნემანს გაღმა გაიქცა, ნაწილი კი ძალით გააგერმანელეს. დაპყრობილ მიწებზე გერმ. კოლონისტები სახლდებოდნენ. ტ. ო-ის გროსმაისტერის (დიდი მაგისტრის) რეზიდენცია 1309-იდან მარიენბურგი (1466-იდან კენიგსბერგი — ახლანდ. კალინინგრადი) იყო. *გრიუნვალდის ბრძოლაში 1410* დამარცხების შემდეგ ტ. ო-ის ექსპანსია შეჩერებულ იქნა. 1525 დიდმა მაგისტრმა ალბრეხტ ბრანდენბურგელმა მოახდინა ტ. ო-ის მიწების სეკულარიზაცია ბალტიისპირეთში. ამივრიდან ეს მიწები პრუსიის საერო საჰერცოგოს წარმოადგენდა და პოლ. ვასალური სამფლობელო იყო, ხოლო 1618-იდან ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ტ. ო-ის სახელმწიფომ ბალტიისპირეთში არსებობა შეწყვიტა. 1809 ორდენი გააუქმეს, აღადგინეს 1834 ავსტრიაში, სადაც განაგრძობს არსებობას, მაგრამ უმნიშვნელო პოლიტ. როლს თამაშობს.

ტეზერი, სოფელი ხაშურის რ-ნში (ქვიშხეთის სოფსაბჭო), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 800 *მ*, ხაშურიდან 7 *კმ*. ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

ტეთისი [სახელი ეწოდა ზღვის ქალღმერთ ტეთისის (ბერძნ. Tēthys) მიხედვით], ძვ. ოკეანური აუზი, რ-იც მეზოზოურ ერაში აერთებდა ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს, ყოფდა ევრ. და აზიის კონტინენტს აფრიკისა და ინდოსტანისაგან. საკუთრივ ტ-ის გარდა, იმავე რეგიონში პალეოზოურ ერაში არსებობდა პალეოტეთისი და მეზოზოური ერის ბოლოს კონტინენტების დრეიფის გამო ტ-ის დახშობის შედეგად წარმოქმნილი ზღვიური აუზების სისტემა პარატეთისი. პალეოგენური და ნეოგენური პერიოდების განმავლობაში არსებული ამ ზღვიური აუზების სისტემის რელიქტია თანამედროვე ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვები.

ტეილორი (Taylor) ბრუკ (18. VIII. 1685, ედმონტონი, მიდლსექსი, — 29. XII. 1731, ლონდონი), ინგლისელი მათემატიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1712). დაადგინა ფუნქციის ხარისხოვან მწკრივად გაშლის ზოგადი ფორმულა (1712) (იხ. *ტეილორის მწკრივი*). საფუძველი ჩაუყარა სიმის რხევის ამოცანის მათ. შესწავლას. ტ-ის დამსახურებაა სასრული სხვაობების თეორიის დამუშავებაც. მის შრომებში განხილულია პერსპექტივის, ქანაობის, ცენტრის ჭურვის მოძრაობის და სხვ. საკითხები.

ტეილორი (Taylor) ჯეფრი ინგრემ (7. III. 1886, ლონდონი,— 27. VI. 1975, კემბრიჯი), ინგლისელი მეცნიერი მექანიკის დარგში. ლონდონის სამეფო საზბის წევრი (1919). დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (1910). ერთ-ერთი არქტიკული ექსპედიციის მეტეოროლოგი (1913). 1919-იდან კემბრიჯის უნ-ტშია. პროფესორი ლონდონის სამეფო საზ-ბის სამეცნ. მუშაობის დარგში (1923—51). 1944—45 მუშაობდა ლოს-ალამოსის ლაბორატორიაში (აშშ) ბირთვული აფეთქების პრობლემაზე. ტ-ის ძირითადი შრომები ეხება უწყვეტ გარემოთა მექანიკას. ფუძემდებლური შრომები აქვს დისლოკაციების თეორიაში. სწავლობდა აგრეთვე თვითმფრინავისა და პარაშუტის აეროდინამიკას, მეტეოროლ. საკითხებს, იკვლევდა მიკროორგანიზმების ცურვის პრობლემებს და სხვ. სსრკ მეცნ. აკად. (1966) და მსოფლიოს სხვა მრავალი აკად. უცხოელი წევრი.

თხზ.: Scientific papers, v. 1—4, Camb., 1958—71.

ტეილორიზმი, წარმოების ორგანიზაციის კაპიტალისტური სისტემა; წარმოიშვა XIX—XX სს. მიჯნაზე; ჩამოაყალიბა ამერ. ინჟ. ფ. უ. ტეილორმა. ტ-თვის დამახასიათებელია მეცნ. და ტექ. მიღწევების გამოყენება მაქს. ზედმეტი ღირებულების მისაღებად, რაც მუშათა კლასის გაძლიერებული ექსპლუატაციით მიიღწევა. იგი უზრუნველყოფს შრომის ინტენსიფიკაციასა და მისი ნაყოფიერების ზრდას.

ტ. გულისხმობს შრომის პროცესების დაწვრილებით გამოკვლევას და მკაცრი რეგლამენტაციის დადგენას მათ შესასრულებლად, აგრეთვე მოწყობილობათა გამოყენების რეჟიმსა და დონეს, მუშების პრაქტ. ვარჯიშსა და წვრთნას სხვადასხვა სახის სამუშაოს სწრაფად შესრულებისათვის.

ტეილორის მიერ შემუშავებული შრომის ნორმირების ანალიზური მეთოდი ეფუძნება შრომის დანახარჯების ქრონომეტრაჟს. გამომუშავების ნორმების დადგენისას ტეილორი არჩევდა ფიზიკურად ძლიერსა და მოქნილ მუშებს. შემდგომ გამომუშავების ეს მეთოდები და ნორმები გავრცელდებოდა ყველა მუშაზე. ამრიგად, ზემოაღნიშნული გზით მუშებისაგან თხოულობენ ორჯერ და სამჯერ მეტ შრომას სამუშაო დღის განმავლობაში.

ტეილორის სისტემის გამოყენება იწვევს, ერთი მხრივ, მუშების შრომის მაღალ ინტენსივობას მთელი სამუშაო დღის მანძილზე და საბოლოო ჯამში მოგების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, იმ მუშების შრომის დაბალ ანაზღაურებას ან დათხოვნას სამსახურიდან, რ-ებიც ვერ უზრუნველყოფენ შრომის მაღალ ტემპებს.

ვ. ი. ლენინმა ტეილორის სისტემას უწოდა „ოფლის გამოწურვის მეცნიერული სისტემა". ტ. საფუძვლად დაედო შრომის ორგანიზაციის თანამედროვე სისტემებს კაპიტალ. ქვეყნებში. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ მან განიცადა ცვლილებებიც საწარმოო ძალთა განვითარების, განსაკუთრებით მეცნ.-ტექ. რევ. შედეგად.

თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში შრომის ორგანიზაციის, წარმოების მართვის სრულყოფის საკითხები ათობით და ასობით სამეცნ.-კვლ. ორგანიზაციის შესწავლის საგანი გახდა, ამ ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილი საკითხები მოიცავენ შრომის ორგანიზაციისა და მართვის როგორც ორგანიზაციულ-ტექ. და ტექ.-ეკონ., ისე ფსიქო-ფიზიოლ. და სოც.-ფსიქოლ. ასპექტებს.

ტეილორის მწკრივი, *ბარისხოვანი მწკრივი*

$$f(a)+\frac{f'(a)}{1!}(x-a)+\frac{f''(a)}{2!}(x-a)^2+\ldots+$$

$$+\frac{f^{(n)}(a)}{n!}(x-a)^n+\ldots, \quad (1)$$

სახისა; $f(x)$ არის ფუნქცია, რ-საც $x=a$ მნიშვნელობისათვის აქვს ყველა რიგის წარმოებული. მრავალ პრაქტიკულად მნიშვნელოვან შემთხვევაში (1) მწკრივი კრებადია $f(x)$ ფუნქციისაკენ რომელიღაც ინტერვალში, რ-ის ცენტრი a წერტილშია:

$$f(x)=\sum_{k=0}^{\infty}\frac{f^{(k)}(a)}{k!}(x-a)^k \quad (2)$$

(ეს ფორმულა 1715 გამოაქვეყნა ბ. ტეილორმა). $R_n(x)=f(x)-S_n(x)$ სხვაობას, სადაც $S_n(x)$ (1) მწკრივის პირველი $n+1$ წევრის ჯამია, ეწოდება (1) მწკრივის ნარჩენი წევრი. (2) ფორმულა მართებულია, თუ $\lim_{n\to\infty}R_n(x)=0$. როცა $a=0$, ფუნქციის ტ. მ-ად გაშლის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$f(x)=f(0)+\frac{f'(0)}{1!}x+\frac{f''(0)}{2!}x^2+\ldots+$$

$$+\frac{f^{(n)}(0)}{n!}x^n+\ldots$$

კერძოდ,

$$(1+x)^m=1+mx+\ldots+$$

$$+\frac{m(m-1)\ldots(m-n+1)}{n!}x^n+\ldots; \quad (3)$$

$$e^x=1+\frac{x}{1!}+\ldots+\frac{x^n}{n!}+\ldots; \quad (4)$$

$$\sin x=x-\frac{x^3}{3!}+\ldots+(-1)^n\frac{x^{2n+1}}{(2n+1)!}+\ldots; \quad (5)$$

$$\cos x=1-\frac{x^2}{2!}+\ldots+(-1)^n\frac{x^{2n}}{(2n)!}+\ldots; \quad (6)$$

(3) მწკრივი კრებადია შემდეგი მნიშვნელობებისათვის: $-1<x<1$, თუ $m<-1$; $-1<x\leqslant 1$, როცა $-1<m<0$ და $-1\leqslant x\leqslant 1$, თუ $m>0$. (4), (5), (6) მწკრივები კრებადია x-ის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის.

ტ. მ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფუნქციათა და სხვ. გამოკვლევისას.

ტეილორის ფორმულა, $f(x)=f(a)+\frac{f'(a)}{1!}(x-a)+\ldots+\frac{f^{(k)}(a)}{k!}(x-a)^k+\ldots+\frac{f^{(n)}(a)}{n!}(x-a)^n+R_n(x)$ ფორმულა, რ-იც გამოსახავს $x=a$ წერტილში n-ური რიგის $f^{(n)}(a)$ წარმოებულის მქონე $f(x)$ ფუნქციას $(x-a)$-ს ხარისხებისა და $R_n(x)$ ნარჩენი წევრის ჯამის სახით. $R_n(x)$ წევრი a წერტილის მიდამოში უფრო მაღალი რიგის უსასრულოდ მცირეა, ვიდრე $(x-a)^n$. თუ ინტერვალში, რ-იც a-ს მოიცავს, არსებობს $f(x)$ ფუნქციის $(n+1)$-ე წარმოებული, მაშინ $R_n(x)$ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$R_n(x)=\frac{f^{(n+1)}(\xi)}{(n+1)!}(x-a)^{n+1}=$$

$$=\frac{f^{(n+1)}(\xi_1)}{n!}(x-\xi_1)(x-a)^n,$$

სადაც ξ და ξ_1 აღნიშნული ინტერვალის წერტილებია (ტ. ო-ის ნარჩენი წევრი, გამოსახული ლაგრანჟისა და კოშის ფორმით, შესაბამისად).

ტეიშოთა აჯანყება, გლეხთა ომი ვიეტნამში 1771—1802. დაიწყო ტეიშონის („დასავლეთის მთები") რ-ნში, რ-იც

ყველაზე მეტად დაზარალდა ჩინებისა (ჩრდ-ით) და ნგუენების (სამხრ-ით) ფეოდ. გვარებს შორის ბრძოლის შედეგად. აჯანყებული გლეხები სამი ძმის — ნგუენ ნიაკის, ნგუენ ჰიუესა და ნგუენ ლის მეთაურობით ჯერ უფრო ძლიერ ჩინებს დაუკავშირდნენ, რ-თა მხარდაჭერით 1776—80 რამდენიმე ლაშქრობა მოაწყვეს სამხრ-ით და ნგუენები სიამში განდევნეს. 1784 ტეიშონებმა გაანადგურეს სიამის მრავალრიცხოვანი ჯარი, რ-იც სამხრ. ვიეტნამში შეიჭრა. 1786 ჩრდ-ში ლაშქრობის შედეგად ტეიშონებმა გაანადგურეს ჩინების არმია და აღადგინეს „კანონიერი" იმპერატორის ლეს ხელისუფლება. ჩრდ. ვიეტ. გამგებელი ფაქტობრივად ნგუენ ჰიუე გახდა; ვიეტნამი ტეიშონთა ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა. 1788 დაიწყო ტ. ა-ის ახ. ეტაპი — ბრძოლა ჩინეთიდან შემოჭრილი მანჯურიელების წინააღმდეგ. 1789 ნგუენ ჰიუემ თანგლონგთან (ახლანდ. ჰანოი) გაანადგურა ცინების არმია. ტეიშონებმა რამდენწლიანი გაატარეს გლეხთა მცდგომარეობა, ამავე დროს, განამტკიცეს „ახალი" ფეოდალების — აჯანყებულთა ზედაფენის პოზიციები. 1792-იდან ტეიშონთა სახელმწიფო დასუსტდა, გლეხობა ჩამოსცილდა აჯანყებას. 1802 სამხრეთის ფეოდალებმა ნგუენ ანის მეთაურობითა და ფრანგების დახმარებით ჩაახშეს ტ. ა.

ტელე... (ბერძნ. tēle — შორს), რთული სიტყვის ნაწილი; აღნიშნავს: 1. შორ მანძილზე მოქმედს (მაგ., ტელეფონი, ტელეპათია, ტელემეტრია); 2. ტელეეიზიასთან დაკავშირებულს (მაგ., ტელეგადაცემა, ტელეჟურნალისტიკა).

ტელეგაზომვა, ტელემეტრია (*ტელე...* და *...მეტრია*), *ტელემექანიკის* ნაწილი; მოიცავს ხერხებსა და ტექნიკურ საშუალებებს საკონტროლო ობიექტების პარამეტრთა გაზომვის შედეგების მანძილზე გადასაცემად. ტ-ის დროს კავშირგაბმ. არხით გადასაცემი გასაზომი სიდიდე გარდაიქმნება სიგნალად, რ-იც ისეთნაირად შეირჩევა, რომ მისი დამახინჯება გადაცემის პროცესში არ ახდენდეს გავლენას გაზომვის სისწორეზე. სიგნალის გაშიფვრა და გაზომვის შედეგების აღწარმოება შეიძლება განხორციელდეს ანალოგური (ისრიანი ელექტროსაზომი ხელსაწყოებით ან ოსცილოგრაფებით) ან ციფრული (ციფრული ინდიკატორების საშუალებით) ფორმით. ავტომ. გაზომვისათვის და მიღებული შედეგების მანძილზე გადასაცემად იყენებენ ტ-ის სისტემებს.

რადიოარხებით განხორციელებულ ტ-ს ეწოდება რადიოტელეგაზომვა ანუ რადიოტელემეტრია (იხ. *რადიოტელემექანიკა*).

ტელეგონია (*ტელე...* და ბერძნ. gonē, gonia—ჩასახვა, შობა, შთამომავლობა), წინა შეჯვარებაში მონაწილე მამლის თვისებების შესაძლო გავლენა იმავე დედლის სხვა მამალ ინდივიდებთან შეჯვარებით მიღებულ შთამომავლობაზე. მრავალი მეცნიერის ზუსტი გენეტ. გამოკვლევებით (XIX ს. ბოლო) ეს შეხედულება უარყოფილია.

ტელეგრამა (*ტელე...* და *...გრამა*), ტელეგრაფით გადასაცემი დოკუმენტური ცნობა. კავშირგაბმულობის დაწესებულებები ტ-ებს იღებენ მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებებისაგან. განასხვავებენ ტ-ს ქვეყნის შიგნით და საერთაშ. ტ-ს. ქვეყნის შიგნით გადასაცემი ტ. შეიძლება იყოს საქალაქთაშორისო და ადგილობრივი. სსრკ-ში ტ. დამუშავების რიგის მიხედვით იყოფა რამდენიმე კატეგორიად: „კატეგორიის გარეშე", „რიგგარეშე" (SOS, „შტორმი", „ავია" და ა. შ.), „უმაღლესი მთავრობის", „მთავრობის", „სასწრაფო" და „ჩვეულებრივი".

ტ. აღრესატს უნდა ჩაბარდეს 1 საათის განმავლობაში. ტ-ის გადაცემა ხდება საერთო სარგებლობისა და *სააბონენტო ტელეგრაფირების* ქსლებით. ტ-ის ტექსტი შეიძლება დაწერილი იყოს რუს., ინგლ., ფრანგ. ან გერმ. ენაზე, მოკავშირე და აეტონ. რესპუბლიკების ენებზე. საერთაშ. ტ-ის გადაცემის დროს დასაშვებია რუსული სიტყვების ლათ. ანბანის ასოებით დაწერა. ტ-ის დროულ გადაცემასა და სიზუსტეზე კავშირგაბმ. ორგანოები პასუხს აგებენ სსრკ კავშირგაბმ. წესდების შესაბამისად.

ტელეგრაფი (*ტელე...* და ბერძნ. graphō — ვწერ), 1. *სატელეგრაფო კავშირის* საყოველთაოდ მიღებული შემოკლე^ული სახელწოდება. 2. კავშირგაბმულობის სპეც. საწარმო, რ-იც ახორციელებს *ტელეგრამების* მიღებას, გადაცემასა და ადრესატისათვის ჩაბარებას. სსრკ-ში ტ. არის ყველა რესპუბლიკასა და საოლქო ცენტრში. ყოველი ტ. დაკავშირებულია თავისი ზონის კავშირგაბმ. საქალაქო განყ-ებებსა და საროიონო კვანძებთან.

თანამედროვე ტ-ს აქვს კლიენტების მომსახურების ოპერაციული დარბაზები და ტელეგრამების გადასაცემი ტექ. მოწყობილობა (*ტელეგრაფის აპარატები, ტელეგრაფის კომუტატორები*, ენერგეტ. დანადგარები და სხვ.).

ტელეგრაფია, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რ-იც სწავლობს *სატელეგრაფო კავშირის* აგების პრინციპებსა და სატელეგრაფო სიგნალების გადაცემის ხერხებს, ქმნის ამ ხერხების სარეალიზაციო აპარატურას, აფასებს *სატელეგრაფო არხებით* ინფორმაციის გადაცემის ხარისხს.

როგორც სამეცნ.-ტექ. დისციპლინა, ტ. მოიცავს შემდეგ განყ-ებებს: სატელეგრაფო კოდებს (ასოით-ციფრული ინფორმაციის ოპტიმალური გარდაქმნა ელექტრულ სიგნალებად და პირიქით); ბოლო პუნქტის სატელეგრაფო აპარატურას (*ტელეგრაფის აპარატების*, ტრანსმიტერების და რეპერფორატორების აგების პრინციპები, სიგნალების გადაცემისა და მიღების ხერხები, ელექტრონული აპარატურის დამუშავება); სატელეგრაფო არხებსა და *სატელეგრაფო ქსლებს*.

ტ-ის განსაკუთრებული მიმართულებაა ფოტოტელეგრაფია, რ-იც ისტორიულად მის ნაწილს შეადგენს, სწავლობს ფაქსიმილური კავშირის პრინციპებს.

ტელეგრაფის აპარატი, აპარატი, რ-იც *სატელეგრაფო კავშირის* დასამყარებლად გადასცემს და (ან) მიიღებს ელექტრულ სატელეგრაფო სიგნალებს. პირველი ტ. ა. გამოიგონა პ. *შილინგმა* 1832. ს. *მორზემ* 1837 შექმნა ტ. ა-ის ახ. სისტემა (იხ. *მორზეს აპარატი*). შილინგისა და მორზეს ტ. ა-ით შეტყობინების გადაცემა *ტელეგრაფის გასაღების* საშუალებით ხდებოდა, ხოლო მიღება — ტეხილი ხაზის ან წერტილისა და ტირეს სახით. უფრო გაუმჯობესებული იყო ბ. *იაკობის* (1850) გამოგონილი პულსაციური სისტემის ასოთსაბეჭდი ტ. ა., რ-იც შეტყობინებას ასოებითა და ციფრებით ბეჭდავდა ქაღალდზე, აგრეთვე დ. *ჰიუზის* ერთჯერადი სინქრონული აპარატი, ე. *სიმენსის*, ჟ. *ბოდოს* (იხ. *მრავალჯერადი სატელეგრაფო აპარატი*) აპარატები. პირველი საბჭოური ტ. ა-ები შექმნეს ა. ტრუსევიჩმა (1921), ვ. კაუპუჟმა (1925), ა. *შორინმა* (1928), ლ. ტრემლმა (1931). შორინისა და ტრემლის მიერ შექმნილი და შემდეგ გაუმჯობესებული მარტივი და მოსახერხებელი ასოთსაბეჭდი ტ. ა-ები დღესაც იხმარება.


თანამედროვე ტ. ა. შეიძლება იყოს ელექტრომექან., ელექტრონულ-მექან. და ელექტრონული. ელექტრომექანიკურისაგან განსხვავებით ელექტრონულ-მექან. აპარატებში კვანძების უმრავლესობა აგებულია უკონტაქტო ელემენტებით, ხოლო ელექტრონულ ტ. ა-ში პრაქტიკულად ყველა კვანძი და ბლოკი შესრულებულია ელექტრონული სქემებით, რაც ტელეგრაფირების სისწრაფისა და მუშაობის საიმედოობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

ტ. ა-ები შეიძლება იყოს ლენტური ან რულონური. ლენტურ ტ. ა-ში ინფორმაცია თანამიმდევრულად იბეჭდება 10 *მმ* სიგანის ქაღალდის ლენტზე, ხოლო რულონურ ტ. ა-ში — 265 *მმ* სიგანის ქაღალდზე სტრიქონების სახით. ინფორმაციის გადაცემის ხერხის მიხედვით განასხვავებენ *სტარტსტოპურ აპარატსა* და სინქრონულს (ამ უკანასკნელით ნიშნები გადაიცემა დროის გარკვეულ ინტერვალებში). ტ. ა. შედგება *სატელეგრაფო გადამცემისა* და *სატელეგრაფო მიმღებისაგან*.

გადამცემის მუშაობის დროს (ნახ. 1) გადასაცემი ცნობის შესაბამისი ყოველი ნიშანი ინფორმაციის წყაროდან ხვდება მაკოდირებელ მოწყობილობაში (შიფრატორში), სადაც იგი ავტომატურად გარდაიქმნება კოდურ კომბინაციად (იხ. *კოდი სატელეგრაფო*), რ-ის ელემენტები გადაეცემა ამკრებ მოწყობილობას. გადამცემი მანაწილებელი თანამიმდევრულად გარდაქმნის კოდური ინფორმაციის ყოველ ელემენტს გარკვეული ხანგრძლივობის ელექტრულ სიგნალად. გამოსავალი მოწყობილობის საშუალებით ვღებულობთ განსაზღვრული სიმძლავრის, პოლარობისა და ფორმის ელექტრულ სიგნალს, ხოლო გადამწოდის საშუალებით — კომბინაციების სასამსახურო ელემენტებს. ამბრავი განსაზღვრავს ტელეგრაფირების სიჩქარეს.

ტ. ა-ის მიმღების (ნახ. 2) ფუნქციებია კოდური კომბინაციის ელექტრული სიგნალების მიღება, ყოველი ელემენტარული სიგნალის პოლარობის განსაზღვრა, კოდური კომბინაციის გაშიფვრა და მიღებული ნიშნების დაბეჭდვა.

კოდური კომბინაციის ელექტრული სიგნალები ხვდება შესავალ მოწყობილობაში, რ-იც საზღვრავს მათ პოლარობასა და ასწორებს დამახინჯებებს. ელემენტარული სიგნალები მანაწილებლის გავლით გროვდება ამკრებ მოწყობილობაში, შემდეგ კი გამშიფრავს გადაეცემა. საბეჭდი მოწყობილობა მიღებულ შეტყობინებას წერს ქაღალდის ლენტზე ან რულონზე. მიმღების სინქრონიზაცია და ფაზვა ხორციელდება ერთობლივად მანაწილებლისა და მმართველი მოწყობილობის საშუალებით მიმღების მუშაობის სიჩქარეს ამბრავი საზღვრავს. ტ. ა-ში შეიძლება აგრეთვე შედიოდეს ავტომატიზებული მისადგამები (რეპერფორატორი, ტრანსმიტერი), *ავტომოპასუხე* და ავტოსტოპი, რ-ებიც შეტყობინების ავტომატურად გადაცემისა და მიღების, შეტყობინების სისწორის შემოწმებისა და ამბრავის ჩართვა-ამორთვის საშუალებას იძლევიან.



ტელეგრაფის გასაღები

ნახ. 1. უმარტივესი ტელეგრაფის გასაღების სქემა: 1—ქვესადგამი; 2 — უკანა საკონტაქტო ხრახნი; 3 — ორმხრა ბერკეტი; 4 — გასაღების სახელური; 5— წინა კონტაქტი; 6—ფოლადის ბრტყელი საკონტაქტო ზამბარები ვერცხლის საკონტაქტო ნარჩილითურთ; 7—ზამბარები.

ნახ. 2. ვიბრაციული ტელეგრაფის გასაღები (მუშაობის პროცესში).

ლიტ.: Кошинчев Л. Н., Коган В. С., Телеграфные аппараты и аппаратура передачи данных, М., 1975.

დ. შიმშილაშვილი.

ტელეგრაფის გასაღები, უმარტივესი გადამცემი, რ-იც მორზეს კოდით (იხ. *კოდი სატელეგრაფო*) გადასცემს სატელეგრაფო სიგნალებს; წარმოადგენს მორზეს აპარატის ნაწილს. გასაღებით მუშაობის დროს ტელეგრაფისტი გადასაცემი ინფორმაციის შესაბამისად შერთავს და განრთავს დენის წრედს. მარტივი ტ. გ-ით (ნახ. 1) გადაცემის სიჩქარეა 70—90 ნიშანი წთ-ში, ხოლო ვიბრაციულით (ნახ. 2) — 120—150 ნიშანი წთ-ში. ტ. გ-ს იყენებენ რადიოსატელეგრაფო კავშირის დროს (კერძოდ, რადიომოყვარულნი).

ტელეგრაფის კომუტატორი, *ტელეგრაფის აპარატების*, ხაზებისა და არხების ერთმანეთთან შესაერთებელი მოწყობილობა. ტ. კ-ს აყენებენ *ტელეგრაფის სადგურში*. იგი უერთდება ყველა გამო-

მავალ და შემავალ ხაზსა და არხს, აგრეთვე მოცემული სადგურის ტელეგრაფის აპარატებს. ტ. კ-ის საშუალებით სადგურის ტექ. პერსონალი ახორციელებს კავშირის მიმართულებათა ოპერატ. გადართვას, ხაზებისა და არხების შეცვლას მათში უწესრიგობის შემთხვევაში. ტ. კ-ის საზომი ხელსაწყოების საშუალებით შეიძლება სატელეგრაფო ხაზებისა და არხების ელექტრული მახასიათებლების დადგენა.

ტელევიზია (*ტელე* ... და ლათ. viso — ხედვა), მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგი, რ-იც რადიოელექტრონული საშუალებებით უზრუნველყოფს გამოსახულებების (მოძრავისა და უძრავის) მანძილზე გადაცემას. *რადიომაუწყებლობასთან* ერთად ტ. არის ინფორმაციის (პოლიტ., კულტ., სამეცნ. და სხვ.) გავრცელების ყველაზე მასობრივი სახეობა და კავშირის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება (მაგ., დისპეტჩერიზაციისა და კონტროლის სისტემებში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე, კოსმ. და ბირთვულ გამოკვლევებში, სამხ. საქმეში და ა. შ.).

ტ-ის ძირითადი პრინციპები და მათი ტექნიკური რეალიზაციის საშუალებები.

სატელევიზიო გადაცემის აღქმა ხდება თვალით, ამიტომ სატელევიზიო სისტემებს აგებენ ადამიანის მხედველობის თავისებურების გათვალისწინებით. რეალურ სამყაროს ადამიანი აღიქვამს ფერებში, საგნებს — რელიეფურად, ხოლო მოვლენებს დინამიკაში, მოძრაობაში. მაშასადამე, იდეალური სატელევიზიო სისტემით ადამიანი გამოსახულებას ასევე უნდა აღიქვამდეს. თანამედროვე ტ-ში მოძრაობისა და ფერის გადაცემის ამოცანები წარმატებით არის გადაჭრილი. გამოცდის სტადიაშია საგანთა რელიეფური გამოსახულებისა და სივრცის სიღრმის აღმწარმოებელი სატელევიზიო სისტემები (იხ. *სტერეოსკოპული ტელევიზია*). გამოსახულების სატელევიზიო გადაცემებისათვის საჭიროა 3 პროცესის განხორციელება: გადასაცემი ობიექტის მიერ გამოსხივებული ან მის მიერ არეკვლილი სინათლის გარდაქმნა ელექტრულ სიგნალებად; კავშირგაბმ. არხებით ელექტრული სიგნალების გადაცემა და მათი მიღება; ელექტრული სიგნალების კვლავ გარდაქმნა ობიექტის ოპტ. გამოსახულების აღმწარმოებელი სინათლის იმპულსებად. ამ პროცესების რეალიზაციისათვის პრინციპული საფუძვლები მოცემული იყო მრავალი მეცნიერის შრომებში, მაგ., უსმითმა (აშშ) 1873 აღმოაჩინა შინაგანი ფოტოეფექტი, ა. სტოლეტოვმა დაადგინა (1888) გარე ფოტოეფექტის მთავარი კანონზომიერებანი, ა. პოპოვმა განახორციელა რადიოკავშირი (1895). ბ. როზინგმა 1907 დაამუშავა „კათოდური ტელესკოპიის" სისტემა, ხოლო 1911 მსოფლიოში პირველმა განახორციელა ლაბორ. პირობებში სატელევიზიო გადაცემა. ტ-ის პრაქტ. გამოყენებისათვის საჭირო იყო მრავალი რთული საკითხის გადაწყვეტა. თვალის ბადურაზე მიღებული გამოსახულება შედგება m გარჩევადი დეტალებისაგან (ელემენტებისაგან). ყოველი ასეთი ელემენტი შეიძლება დაეახასიათოთ B სიკაშკაშის, ფერადობის (ე. წ. ფერის ტონის λ და p ფერის სიწმინდე) და გეომ. ადგილის (კოორდინატები x, y) მიხედვით, ე. ი. ალვწეროთ მრავალგანზომილებიანი ფუნქციით:

$$f_i(B, \lambda, p, x, y).$$

მთელი გამოსახულება აიწერება ფუნქციით:


$$\sum_{i=1}^{m} f_i(B, \lambda, p, x, y).$$

ეს მართებულია ტ-თვისაც, სადაც გადასაცემი ობიექტის ოპტ. გამოსახულება მიიღება (ოპტ. სისტემით) *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკის* შუქმგრძნობიარე ელემენტზე. რიცხვი m ამ შემთხვევაში განისაზღვრება ელექტრონმილაკის გარჩევის უნარითა და სატელევიზიო *კადრის* ზომით. სხრკ სამაუწყებლო ტ-ში იგი 1 კადრში დაახლ. 500 ათას ელემენტს შეიცავს. თუ ყოველი ელემენტის x და y კოორდინატები ცნობილია, მისი გადაცემისათვის უნდა გადაიცეს 3 პარამეტრი (B, λ და p), რისთვისაც საჭიროა კავშირგაბმ. 3 არხი, ხოლო მთელი გამოსახულების გადასაცემად—$3m$ არხი (სტერეოტელევიზიის შემთხვევაში არხების რაოდენობა ორკეცდება). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ გამოსახულების ყველა ელემენტის ერთდროული გადაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ტ-ში მიღებულია გამოსახულების გადაცემის მიმდევრობითი (რიგრიგობითი) პრინციპი, რ-იც წამოაყენეს პორტუგ. მეცნ. ა. დი პაივამ (1878) და მისგან დამოუკიდებლად პ. ბახმეტიევმა (1880). ასეთი გადაცემის შესაძლებლობა ემყარება ადამიანის მხედველობის თვისებას — აღიქვას მფეთქარი სინათლე, როგორც უწყვეტი, თუ პულსაციის სიხშირე სჭარბობს კრიზისულს (1 წმ-ში რამდენიმე ათეული პულსაცია). გამოსახულების ელემენტების ელექტრულ სიგნალებად თანამიმდევრული გარდაქმნის პროცესს გამოსახულების გაშლა ეწოდება. გამოსახულების ანალიზისა და სინთეზის ეს პროცესები უნდა ხდებოდეს სინქრონულად და სინფაზურად. გამოსახულების გაშლის წესი განისაზღვრება სატელევიზიო სისტემის დანიშნულებით. მაგ., თანამედროვე სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემაში მიღებულია ხაზობრივ-სტრიქონული გაშლა, რ-ის დროსაც წარმოქმნილი გამოსახულების კადრს აქვს ჰორიზ.-სტრიქონული სტრუქტურა. გაშლის სინფაზურობის შესანარჩუნებლად ყოველი სტრიქონისა და კადრის ბოლოში გადაიცემა მასინქრონებელი იმპულსები, რ-თა საშუალებითაც *სატელევიზიო სადგური* თავისი მოქმედების ზონაში მართავს ყველა *ტელემიმღების* გამოსახულების გაშლას. გამოსახულების ელემენტების გადასაცემი მოწყობილობა, რ-იც დამყარებული იყო მოძრავი ნახვრეტებიანი დისკოს გამოყენებაზე (მექან. სისტემა), წამოაყენა პ. ნიპკოვმა (1884). ოპტ. გამოსახულების გარდაქმნა და აღდგენა თანამედროვე ტ-ში ხორციელდება უმთავრესად ვაკუუმური ელექტრონულსხივური მილაკებით (ელექტრონული სისტემა). ელექტრონული სისტემების პრაქტ. ათვისება დაკავშირებულია ვ. ზვორიკინის, ფ. ფარნსუორთის (აშშ), კ. სუინტონის (დიდი ბრიტანეთი), ვ. გრაბოვსკის, ს. კატაევის, ა. კონსტანტინოვის, ბ. როზინგის, პ. ტიმოფეევის, პ. შმაკოვისა (სსრკ) და სხვათა სახელებთან. გადამცემი ელექტრონული მილაკებიდან მეტად გავრცელებულია *ვიდიკონი* და *სუპერორთიკონი*, ხოლო მიმღები ელექტრონული მილაკებიდან — სხვადასხვა ტიპის *კინესკოპი*. თავდაპირველად ხდებოდა გამოსახულების ცალკეული ელემენტების მხოლოდ სიკაშკაშის მახასიათებლის გადაცემა. შავ-თეთრ ტ-ში (იხ. ნახ.) სატელევიზიო არხით გადაცემამდე სიკაშკაშის სიგნალი (*ვიდეოსიგნალი*) ძლიერდება, გარდაიქმნება სხვა სიხშირის სიგნალად (იხ. *სატელევიზიო სიგნალი*). კავშირგაბმ. არხად იყენებენ რადიოარხს ან საკაბელო არხს (იხ. *სატელევიზიო გადამცემი ქსელი*). მიმღებ მოწყობილობაში ელექტრული სიგნალი ოპტ. გამოსახულებად გარდაიქმნება ერთსხივიან კინესკოპში, რ-ის ეკრანი დაფარულია თეთრი ლუმინოფორით. *ფერად ტელევიზიაში* სიკაშკაშის სიგნალის გარდა გადაიცემა აგრეთვე ყოველი ელემენტის ფერადობის ინფორმაცია, რადგან ბუნებრივი ფერების სიმრავლის აღწარმოება ოპტიკურად შესაძლებელია გარკვეული პროპორციით აღებული წითელი, მწვანე და ლურჯი ფერებისაგან. სატელევიზიო კამერა შეიცავს 3 ელექტრონმილაკს სიკაშკაშისა და ფერადობის სიგნალების წარმოსაქმნელად. ყველა ეს სიგნალი გადაცემის დროს (ტელეცენტრში) განიცდის კოდირებას, ხოლო მიღებისას — დეკოდირებას (სატელევიზიო მიმღებში). ფერადი კინესკოპი სამსხივიანია და მისი ეკრანი მოზაიკურია.

ტ-ის სისტემების კლასიფიკაცია: ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით არის შავ-თეთრი (ქრომოქრომული), ფერადი, სტერეომონოქრომატული და სტერეოფერადი; სიგნალის წარმოდგენის ფორმის მიხედვით — ანალოგური და დისკრეტული (ციფრული); კავშირგაბმ. არხის სიხშირის სპექტრის მიხედვით — ფართოზოლიანი და ვიწროზოლიანი.

ტ. ფართოდ გავრცელდა როგორც **სატელევიზიო მაუწყებლობა**. სატელევიზიო აპარატურას იყენებენ სამეცნ. კვლევებში, მედიცინაში, სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგში (იხ. *სამრეწველო ტელევიზია*, *წყალქვეშა ტელევიზია*). სსრკ-ში 1962 შეიქმნა კოსმ. ტ. (*კოსმოვიზია*). ტ-ის საშუალებით შესაძლებელი გახდა დედამიწიდან მთვარის უხილავ მხარეზე დაკვირვება, ჩატარდა ავტომ. კოსმ. სადგურების („მთვარემავალი-1" და „მთვარემავალი-2") მართვის უნიკალური ექსპერიმენტი. სატელევიზიო აპარატურის საშუალებით გადაიღეს მთვარის, მარსის, ვენერასა და სხვა პლანეტების ფოტოსატელევიზიო სურათები. ტ-ის განვითარების პერსპექტივები უკავშირდება სატელევიზიო გამოსახულების ჩაწერისა და სტერეოსკოპული ტ-ის დანერგვას, აგრეთვე ტ-ში *ჰოლოგრაფიის* გამოყენებას.

სატელევიზიო მაუწყებლობა ინფორმაციისა და პროპაგანდის ერთ-ერთი მასობრივი საშუალება, ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებისა და მოსახლეობის გართობა-დასვენების ქმედითი საშუალებაა. სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში ტ. აშუქებს კომუნისტური და მუშათა პარტიების, აგრეთვე სახელმწ. ორგანოების საქმიანობას, მშრომელთა მონაწილეობას სოციალ. და კომუნისტურ მშენებლობაში, ემსახურება საზ. აზრის ჩამოყალიბებას, მასების იდეურ, მორალურ და ესთეტ. აღზრდას, ეწევა საბჭ. კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის პროპაგანდას. საერთაშ. სატელევიზიო სისტემებით საბჭ. ტ-ის პროგრამებს ღებულობენ როგორც სოციალისტური, ისე სხვა ქვეყნები. 1931-იდან სსრკ მრავალ ქალაქში დაიწყო მექან. სისტემით უძრავი გამოსახულების რეგულარული გადაცემა. 1932 განხორციელდა მოძრავი გამოსახულების პირველი გადაცემა. ტ-ის განვითარებაში ახ. ეტაპი დაიწყო 30-იან წწ. ბოლოს, როდესაც დაიწყეს ელექტრონმილაკების გამოყენება. ელექტროწულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ გაუმჯობესდა გამოსახულების ხარისხი, გაფართოვდა ტ-ის შემოქმედებითი შესაძლებლობები. 40-იან წწ. დასასრ. დაიწყო ტელევიზორების („მოსკვიჩ ტ-1", „ლენინგრად ტ-2", „კვნ-49") მასობრივი დამზადება. 1951 შეიქმნა ტ-ის ცენტრ. სტუდია, რ-მაც მოსკოვში ყოველდღიური გადაცემების მოწყობა განახორციელა.



ტელევიზია. სატელევიზიო სისტემის ზოგადი სტრუქტურული სქემა.

1954 ცენტრ. სტუდიაში ჩამოყალიბდა პროპაგანდის, მეცნ., სპორტისა და სხვა რედაქციები. ამავე წელს მოსკოვში ჩატარდა ფერადი ტელეგადაცემების პირველი ცდები. 1957 სსრკ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი, 1961-იდან სსრკ საერთაშ. ორგანიზაციის *ინტერვიზიის* წევრია. 1965 შესაძლებელი გახდა ტელეპროგრამების გაცვლა მოსკოვსა და ვლადივოსტოკს შორის ხელოვნური თანამგზავრის „მოლნია 1-ის" საშუალებით. 1966 მოეწყო პირველი გადაცემა ფერადი ტელეპროგრამისა პარიზიდან მოსკოვში, ხოლო 1967-იდან ფერადი გადაცემები რეგულარულად მიმდინარეობს. 1970 სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი გარდაიქმნა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სსრკ მინისტრთა საბჭოს საკავშ.-რესპ. სახელმწ. კომიტეტად. საბჭ. ტ-ის სისტემაში შედის ცენტრ., რესპ. და ადგილ. (სამხარეო, საოლქო) ტელემაუწყებლობა. ცენტრ. ტელემაუწყებლობა ხორციელდება 6 პროგრამით, მ. შ. 2 პროგრამა განკუთვნილია ქვეყნის შორეული რ-ნებისათვის.

საქართველოში რეგულარული სატელევიზიო გადაცემები დაიწყო 30. XII. 1956. გადაცემები კვირაში 4-ჯერ იყო, 1961-იდან კი ყოველდღიურადაა. 1957—64 მოწყობილი იყო რეტრანსლატორები გორში, ცხინვალში, გურჯაანში, ლენინგორში, ბათუმში, სოხუმში, ახალციხესა და რესპ. სხვა რ-ნებში. ამავე პერიოდში ამუშავდა რადიორელეური ხაზები მოსკოვი—თბილისი, თბილისი—ქუთაისი, ხოლო 1965 ბოლოს — რადიორელეური არხი გალი—ფოთი—ბათუმი, 1968 თბილისში დაიწყო რეგულარული ფერადი ტელეგადაცემა. (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი ბეჭდვითი სიტყვა. საგამომცემლო საქმე. პერიოდიკა. ტელევიზია. რადიომაუწყებლობა).

საზღვარგარეთის ქვეყნებში რეგულ. ტელეგადაცემები დაიწყო 1936—დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში, 50-იანი წლებიდან — ევრ. სხვა ქვეყნებშიც, 1941-იდან — აშშ-ში, 60-იანი წლებიდან—განვითარებად ქვეყნებში.

სოციალ. და განვითარებად ქვეყნებში ტ. სახელმწიფოს გამგებლობაშია, კაპიტალისტურში არის როგორც სახელმწიფო, ისე კომერც. ტ.

სოციალ. სახელმწიფოთა ტელეორგანიზაციების თანამშრომლობა (გადაცემათა გაცვლა, ერთობლივი შემოქმედება, გეგმათა კოორდინაცია და სხვ.) ხორციელდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და ინტერვიზიით.

ტ-ის მრავალმხრივ საერთაშ. თანამშრომლობას წარმართავენ საერთაშ. და რეგიონული ორგანიზაციები და კავშირები, აზიის რადიომაუწყებლობის კავშირი (დაარსდა 1946), აფრიკის რადიო- და ტელეგადაცემის კავშირი (1962), ამერიკათშორისი რადიომაუწყებლობის ასოციაცია (1946) და სხვ. ტელეპროგრამათა საერთაშ. გაცვლა წარმოებს აგრეთვე ინტერვიზიითა და ევროვიზიით. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით ტელეგადაცემის გაცვლა მიმდინარეობს „ინტერსპუტნიკისა" (1971; სოციალ. ქვეყნების კოსმ. კავშირის საერთაშ. სისტემა) და „ინტელსატის" (1964; აშშ-ის, ევრ. და სხვა ქვეყნების გაერთიანება) საშუალებით.

სოციალ. ქვეყნებში რადიო- და ტელემაუწყებლობას წარმართავენ სახელმწ. კომიტეტები.

კაპიტალ. ქვეყნების წამყვანი ტელეორგანიზაციებია (მ. შ. კომერციულიც): აშშ-ში — „კოლუმბია ბროდკასტინგ სისტემ"-სი-ბი-ეს (Columbia Broadcasting System), „ნეშნლ ბროდკასტინგ კომპანი" — ენ-ბი-სი (National Broadcasting Company), დიდ ბრიტანეთში — „ბრიტიშ ბროდკასტინგ კორპორეიშნ"-ბი-ბი-სი (British Broadcasting Corporation), „ინდიპენდენტ ბროდკასტინგ ოთორიტი"—აი-ტი-ვი („Independent Broadcasting Authority), იტალიაში —„რაი-ტვ" („Radiotelevisione Italiana), გფრ-ში—„ცდფ" („Zweites Deutsches Fernsehen), იაპონიაში „ენ-ეიჩ-კეი" („Nippon Hoso Kyokai) და სხვ.

ლიტ.: Казиник М. Л., Макеев Г. М., Сафрошин Н. А., Основы телевидения, 3 изд., М., 1973; Кравченко Л. П., Тайны голубого экрана, М., 1974; Новаковский С. В., Цветное телевидение, М., 1975; Самойлов В. Ф., Хромой Б. П., Телевидение, М., 1975; Юровский А. Я., Телевидение—поиски и решения, М., 1975.

გ. კიკვილაშვილი.

ტელევიზორი (*ტელე...* და ლათ. viso — ხედვა), სატელევიზიო მიმღები, *რადიომიმღები*, რ-იც სატელევიზიო გადამცემი ცენტრიდან გამოსხივებულ და *სატელევიზიო ანტენით* ან კაბელით მიღებულ რადიოსიგნალებს (გამოსახულებისა და ბგერით სიგნალებს) აძლიერებს და გარდაქმნის გამოსახულებად და ბგერად. ტ. არის შავთეთრი და ფერადი გამოსახულებისა, სტაციონარული და გადასატანი (ნახ.). ხარისხობრივი მაჩვენებლების, ეკრანის ზომისა და საექსპლუატაციო თვისებების მიხედვით სსრკში ტ-ები იყოფა 4 კლასად: I — III კლასის ტ-ები სტაციონარულია, ხოლო IV კლასისა—პორტატიული, გადასატანი. თანამედროვე ტ-ებში გამოყენებულია უმთავრესად ნახევრადგამტარიანი ხელსაწყოები და ინტეგრალური სქემები.

ლიტ.: Ельяшкевич С. А., Телевизоры, М., 1974; Цветные телевизоры и их эксплуатация, под ред. С. В. Новаковского, М., 1974.

ტელეზიო (Telesio) ბერნარდინო (1509, კოზენცა, — 2. X. 1588, იქვე), აღორძინების ეპოქის იტალიელი ნატურფილოსოფოს-დეისტი. დააარსა პირველი საბუნებისმეტყველო სკ-ბა, რ-ის პროგრამა მოცემულია მისივე ძირითად ნაშრომში—„საგანთა ბუნების შესახებ მათი საკუთარი საწყისების შესაბამისად" (1565). იბრძოდა არისტოტელეს ტელეოლოგიისა და სილოგისტიკის წინააღმდეგ. ემპირიზმის დაფუძნებისას ემყარებოდა სოკრატემდელ მატერიალიზმს. ტ-ს აზრით, მატერია უსასრულო, განუსაზღვრელი და პასიურია. მისი მამოძრავებელია სითბო და სიცივე. სივრცე არსებულის ჭურჭელია, დრო კი — მოძრაობის საზომი. ბუნება რიცხობრიობის პრინციპს ექვემდებარება. შემეცნების მთავარი იარაღია დასკვნა ანალოგიის მიხედვით, ჭეშმარიტების კრიტერიუმია გამოცდილება. ტ-ს ეთიკა სენსუალისტური ჰედონიზმია. აღიარებს ღვთაებრივი სულის არსებობას ადამიანში. ტ-ს მოძღვრებას იზიარებდნენ ჯ. ბრუნო, ტ. კამპანელა, ფ. ბეკონი.

ლიტ.: Горфункель А. Х., Материализм и богословие в философии Б. Телезио, კრ.: Итальянское Возрождение, [Л.], 1966.

გ. თევზაძე.

ტელეიტოსპორა (ბერძნ. teleutē — ბოლო და *სპორა*), ჟანგა სოკოების სპორების (უმეტესად მოზამთრე) ერთ-ერთი სახე. ტ. შეიძლება იყოს ერთ- ან მრავალუჯრედიანი, ფეხიანი ან უფეხო, თავისუფალი ან სეტებად შეზრდილი. ჟანგა სოკოების ოჯახებად და გვარებად დაყოფისას ამ ნიშნებით სარგებლობენ. ტ-ს ზოგჯერ გუდაფშუტა სოკოების სპორებსაც უწოდებენ.

ტელეკინოგადამცემი, ტელეკინოპროექტორი, აპარატი, რ-იც ტელევიზიით გადასაცემს კინოფირზე დაფიქსირებულ გამოსახულებას (კინოფილმს); შედგება ლენტსაწევი მექანიზმისა და ოპტ.-ელექტრონული ამომკითხავი მოწყობილობისაგან, რ-იც კინოგამოსახულებას *ვიდეოსიგნალად* გარდაქმნის. თანამედროვე ტ-ით გადაიცემა შავ-თეთრი და ფერადი გამოსახულება. ცნობილია შუქგამოსახულების ვიდეოსიგნალად გარდამქმნელი ტ. (*გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკი*) და გამოსახულების მსრბოლი სხივით გამშლელი ტ. (იხ. *მსრბოლსხივიანი კამერა*). პირველ შემთხვევაში სადემონსტრაციო ფილმის ყოველი კადრის გამოსახულება დაპროექცირდება ფერდამყოფი ოპტ. სისტემით გადამცემი ელექტრონმილაკის შუქმგრძნობიარე ელემენტებზე. მეორე შემთხვევაში კინოფირიდან გამოსახულება ამოიკითხება სინათლის სხივით. ეს სხივი თანამიმდევრულად გაივლის სხვადასხვა ოპტ. სიმკვრივის კინოფირის უბნებს, მოდულირდება და ფერდამყოფი ოპტ. სისტემით დაიყოფა 3 შემადგენელ სხივად, რ-ებიც ფოტოელექტრონული მამრავლებლით ვიდეოსიგნალებად გარდაიქმნებიან. მუშავდება აგრეთვე ისეთი ტ., რ-შიც გადასაცემი გამოსახულება გაიშლება კომბინირებული სამფერიანი ლაზერის სხივით (იხ. *პროექციული ტელევიზია*).


ტელეკონტროლი, ობიექტის მდგომარეობის ავტომატური კონტროლი, რ-საც ახორციელებენ *ტელემექანიკის* საშუალებებით. ტ. მოიცავს *ტელეგაზომვასა* და *ტელესიგნალიზაციას*.

ტელემართვა (ტმ), *ტელემექანიკის* საშუალებებით განხორციელებული დისტანციური მართვა; ტელემექანიკის ნაწილი, რ-იც უზრუნველყოფს მმართველი ინფორმაციის (ბრძანების) მანძილზე გადაცემას და მის გარდაქმნას მმართველ ზემოქმედებად. ტელემექანიკის სისტემებში ყოველი სამართი ობიექტი ხასიათდება ორი მდგომარეობით (მაგ., ღია — დაკეტილია, ჩართულია — ამორთულია), ამიტომ მმართველი ინფორმაციაც ბრძანებაში შეიცავს ერთ-ორ სიტყვას, ბშვიათად — რამდენიმეს.

ტ-ის მრავალ სისტემაში მიღებულია სიგნალების გადაცემის ორსაფეხურიანი ხერხი. ჯერ გადასცემენ ობიექტის მისამართს, შემდეგ კი — მმართველ ინფორმაციას. ტ-ის სისტემებს იყენებენ როგორც დისკრეტული, ისე უწყვეტი მმართველი ინფორმაციის გადასაცემად. ამ უკანასკნელს იყენებენ, მაგ., რაკეტებისა და კოსმ. საფრენი აპარატების ფრენის სამართავად.


ობიექტების ტ. კონტროლის გარეშე გაძნელებულია, ამიტომ მას დამატებით ახლავს *ტელესიგნალიზაცია*. ზოგჯერ ობიექტების მართვა ხდება გარკვეული ხისტი პროგრამით, თუ ასეთი პროგრამები არ არის რთული და მათი რაოდენობა მცირეა, მაშინ პროგრამების სარეალიზაციოდ ტ-ის სისტემას ამარაგებენ სპეც. ავტომ. მოწყობილობით. ჩვეულებრივ, მმართველ ინფორმაციას გადასცემენ კომბინირებული *ტელემართვისა და ტელესიგნალიზაციის სისტემის* ანდა კომპლ. *ტელემექანიკური სისტემის* საშუალებით.

ტელემართვისა და ტელესიგნალიზაციის სისტემა (ტმ—ტს სისტემა), კომბინირებული ტელემექანიკური სისტემა, რ-იც აკონტროლებს ობიექტების დისტანციურ მართვასა და ბრძანებათა შესრულებას. ტმ—ტს სისტემით სამაუწყებლო სიგნალიზაციის გარდა შეიძლება გადაიცეს აგრეთვე ინფორმაცია საკონტროლო არამართვადი ობიექტების მდგომარეობის შესახებ, საკონტროლო პარამეტრების ნორმიდან გადახრის სიგნალიზაცია (ავარიული სიგნალიზაცია), ტელემექან. მოწყობილობის მუშაობის უნარის ინფორმაცია და ა. შ.; საკონტროლო ინფორმაციის აღწარმოება ხდება სადისპეტჩერო დაფაზე *მნემონიკური სქემების* ან *ინდიკატორების* საშუალებით.




ტელევიზორი

შავ-თეთრი გამოსახულების I კლასის სტაციონარული ტელევიზორი („პორიზონტ-107").




შავ-თეთრი გამოსახულების II კლასის სტაციონარული ტელევიზორი („იუნოსტ-401 დ").



ფერადი გამოსახულების II კლასის სტაციონარული ტელევიზორი („რუბინ-711").



ტელენომუსები. Telenomus gracilis.



ტელეფონი. ტა-ტელეფონის კაფსულის მონყობილობა (სსრკ): 1 — პლასტმასის კორპუსი; 2—ნახვრეტებიანი (7) პლასტმასის სახურავი; 3 — მემბრანა; 4—პოლუსური ზესადგამები; 5 — ელექტრომაგნიტის გრაგნილები; 6 — კოჭას კარკასი; 8—მუდმივი მაგნიტი; 9—პლასტმასის შუასადები.

ტელეობიექტივი. ორკომპონენტიანი ტელეობიექტივის პრინციპული სქემა: H' — უკანა მთავარი სიბრტყე; F'—უკანა ფოკალური სიბრტყე; D_1—ტელეობიექტივის დადებითი კომპონენტი; D_2—ტელეობიექტივის უარყოფითი კომპონენტი; L — მანძილი ტელეობიექტივის პირველი ზედაპირიდან უკანა ფოკალურ სიბრტყემდე; f'—უკანა საფოკუსო მანძილი.

ტელემართვის, ტელესიგნალიზაციისა და ტელეგაზომვის სისტემა (ტმ—ტს—ტგ სისტემა), კომპლექსური *ტელემექანიკური სისტემა*, რ-საც იყენებენ ობიექტების მართვისა და მათი მდგომარეობის დისტანციური კონტროლისათვის; ჩვეულებრივ, ტელერეგულირების (ტრ) შესაძლებლობასაც იძლევა. ტმ—ტს—ტგ სისტემა ტელემექან. სისტემის გავრცელებული ტიპია. იგი უზრუნველყოფს დისპეტჩერის მიერ მართვის ფუნქციის მეტად სრულყოფილ შესრულებას. ტმ—ტს—ტგ სისტემის მაგალითია ტმ-300 „წარმოება" (სსრკ), რ-იც განკუთვნილია საწარმოს ტელემექანიზაციისათვის. სისტემის 25 საკონტროლო პუნქტიდან მართვის პუნქტზე სადენიანი კავშირგაბმ. ხაზით 60 ობიექტიდან შეიძლება სათანადო სიგნალებით საჭირო ინფორმაციის მიღება და ტელეგაზომვის ჩატარება (მაგ., მილსადენში — წნევისა, კონვეიერის მოძრაობის სიჩქარისა და ა. შ.), აგრეთვე ყოველი საკონტროლო პუნქტის 50 ობიექტს (ჩარხებს, რეგულატორებს, ავტომ. ხაზებს და ა. შ.) შეიძლება 20 *კმ* მანძილზე გადაეცეს ტელემართვის ან ტელერეგულირების ბრძანება.


ტელემეტრია (*ტელე*... და ...*მეტრია*), იგივეა, რაც *ტელეგაზომვა*. ტერმინი „ტ." შემოსულია უცხოური ლიტ-რიდან და ტრადიციულად იყენებენ ბიოლ. პროცესების დისტანციური გამოკვლევების დროს (იხ. *ბიოტელემეტრია*), აგრეთვე გაზომვებისა და მეტეოროლ. მონაცემების გადასაცემად კოსმ. ობიექტებიდან (მაგ., დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან). ინფორმაცია, როგორც წესი, გადაიცემა *რადიოკავშირის* არხებით.

ტელემექანიკა (*ტელე*... და *მექანიკა*), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რ-იც ამუშავებს ინფორმაციის გადაცემისა და მიღების მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებს ობიექტის მანძილზე მართვისა და კონტროლისათვის. ტ. უზრუნველყოფს ტერიტორიულად დაცილებული მრავალი აგრეგატის, მანქანის, დანადგარის მუშაობის კოორდინაციას, ამასთან, საშუალებას იძლევა გაერთიანდნენ ერთიან კომპლ. *ტელემექანიკურ სისტემად*. ტ-ს ფართოდ იყენებენ ელექტროენერგეტიკაში, ნავთობისა და აირის სარეწებზე, მაგისტრ. მილსადენებზე, სამთო მრეწველობაში, რკინიგზის ტრანსპორტზე და სხვ., აგრეთვე რაკეტებისა და კოსმ. აპარატების ფრენის მართვისათვის, ავტომ. მეტეოროლ. სადგურებიდან ინფორმაციის გადასაცემად და ა. შ. ტ. მოიცავს *ტელემართვას*, *ტელესიგნალიზაციას* და *ტელეგაზომვას*.

ტ-ის მ ე თ ო დ ე ბ ი და ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი. მართვის ნებისმიერი პროცესი შეიცავს საკუთრივ მართვას, ე. ი. ობიექტზე ზემოქმედებას მისი მდგომარეობის (მაგ., სივრცეში მდებარეობის პარამეტრთა მნიშვნელობების) შესაცვლელად და ობიექტის მდგომარეობის კონტროლს. ტ-ის საშუალებით მართვასა და კონტროლს ახორციელებენ მართვის პუნქტიდან (მპ) ან *სადისპეტჩერო პუნქტიდან* (დპ), სადაც იმყოფება ოპერატორი (დისპეტჩერი). მართვის ობიექტები შეიძლება იყოს ერთ ადგილზე თავმოყრილი, ერთ ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო პ უ ნ ქ ტ შ ი (კპ) ან დიდ ტერიტორიაზე განწერტებული (რამდენიმე კპ-ში). მანძილი დპ და მპ-ს შორის შეიძლება იყოს რამდენიმე ათეული *მ*-იდან ათეულ და ასეულ ათას *კმ*-მდე (მაგ., ავტომ. პლანეტათშორისი სადგურის მართვის დროს). ტელემექან. ინფორმაციის გადასაცემად იყენებენ კავშირგაბმ. ხაზებს, რადიოარხებს, ოპტ., ჰიდრავ. და აკუსტიკურ არხებს, მანაწილებელ ელექტრულ ქსელებსა და ელექტროგადამცემ ხაზებს. ხშირად ტელემექან. ინფორმაციას გადასცემენ სატელეფონო არხებით და *მონაცემების გადაცემის* არხებით. თუ ტელემექან. ინფორმაციის გადასაცემად იყენებენ რადიოარხებს, მაშინ ტ-ს უწოდებენ *რადიოტელემექანიკას*. რთული ობიექტების ტელემართვისათვის იყენებენ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს. ასეთ ტელემექან. სისტემას უწოდებენ ტ ე ლ ე ი ნ ფ ო რ მ ა ც ი უ ლ ს, ხოლო სისტემას, რ-შიც მმართველი ზემოქმედება ავტომატურად გამომუშავდება, ეწოდება მ ა რ თ ვ ი ს ტ ე ლ ე ა ვ ტ ო მ ა ტ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ა.

ლიტ.: Макаров В. А., Теоретические основы телемеханики, Л., 1974; Тутевич В. Н., Телемеханика, М., 1973; Фремке А. В., Телеизмерения, 2 изд., М., 1975. *გ. თურქია.*

ტელემექანიკური სისტემა, *ტელემექანიკის* მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის არხების (იხ. *არხი კავშირგაბმულობისა*) ერთობლიობა, რ-ის დანიშნულებაა მართვის ბრძანებებისა და სამართი ობიექტების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ავტომ. გადაცემა მანძილზე. განასხვავებენ ჩაწერტებული და განწერტებული ობიექტების ტ. ს-ებს. ჩ ა წ ე რ ტ ე ბ უ ლ ი ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს ტ. ს-ებს იყენებენ ელექტროსადგურებსა და ტრანსფორმატორულ ქვესადგურებში. ყოველ მათგანზე განლაგებულია მრავალი ხელსაწყო (ამომრთველები, გენერატორები და სხვ.). მართვისა და კონტროლის სიგნალები გადაიცემა უშუალო *კავშირგაბმულობის ხაზით*, რ-იც სადისპეტჩერო პუნქტს ელექტროსადგურთან ან ქვესადგურთან აკავშირებს. გ ა ნ წ ე რ ტ ე ბ უ ლ ი ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს ტ. ს. შეიძლება იყოს რადიალური, მიმდევრობითი, განშტოებული და შერეული. განწერტებული ობიექტების ტ. ს-ის მაგალითია ნავთობსარეწის ცენტრალიზებული მართვის სისტემები. აქ კონტროლისა და მართვის ობიექტებია სარეწის ტერიტორიაზე განლაგებული ნავთობის ჭაბურღილები. კავშირგაბმ. ყოველი ხაზი აკავშირებს სადისპეტჩერო პუნქტს რამდენიმე ათეულ ჭაბურღილთან. განწერტებული ობიექტების ტ. ს-ის დანიშნულებაა ბრძანებათა უწყვეტი გადაცემა საკონტროლო ფიზ. სიდიდეებისა, ელექტრული (დენის ძალა, ძაბვა, სიმძლავრე და სხვ.) და დისკრეტული ცნობების გადაცემა (მაგ., მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ბრძანების გადაცემა). ჩაწერტებული ობიექტების ტ. ს-ებს მიეკუთვნება *ტელეგაზომვისა* და უწყვეტი *ტელემართვის* სისტემები, განწერტებულ ტ. ს-ებს კი — ტელემართვისა და *ტელესიგნალიზაციის* დისკრეტული სისტემები. ტ. ს-ებში იყენებენ კავშირგაბმ. ელექტრულ არხებს (სადენიანი და რადიოარხები), აგრეთვე ოპტიკურ, აკუსტიკურ, პნევმატიკურსა და ჰიდრავლიკურ არხებს. სსრკ-ში დამუშავებულია ტელემექან. საშუალებათა აგრეგატული სისტემა (ტსას), რ-იც *ინტეგრალური სქემებით* აგებული უნიფიცირებული ფუნქციური ბლოკების ნაკრებია. ტსას შედის სამრეწვ. ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სახელმწ. სისტემაში.



ლიტ.: Пшеничников А. М., Портнов М. Л., Телемеханические системы на интегральных микросхемах, М., 1977. *გ. თურქია.*

ტელენომუსები (Telenomus), სიფრიფანაფრთიანი მწერების გვარი Scelionidae-თა ოჯახისა. აქვთ შავი სხეული, რ-ის სიგრძე 0,7—1,5 *მმ* აღწევს. პარაზიტობენ პეპლების, ბალღინჯოებისა და ბუზების კვერცხებში. ბუნებრივ პირობებში მრავალი მავნე მწერის რაოდენობის ერთ-ერთი ბირითადი რეგულატორია. ლაბორატორიებში ამრავლებენ მავნებლების წინააღმდეგ ბიოლ. ბრძოლისათვის, სსრკ-ში T. sokolovi-ს იყენებენ მავნე კუსებურას, T. gracilist-ს კი — ციმბირულ აბრეშუმხვევიას წინააღმდეგ.

ტელეობიექტივი, შორფოკუსიანი ფოტოგრაფიული *ობიექტივი*, რ-შიც მანძილი პირველი ლინზის ზედაპირიდან უკანა ფოკალურ სიბრტყემდე შემცირებულია სხვა ტიპის შორფოკუსიან ობიექტივებთან შედარებით, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს ფოტო- და კინოკამერების გაბარიტები; იყენებენ დაშორებული ობიექტების დიდი მასშტაბით გადაღებისას, აგრეთვე პორტრეტის მისაღებად. გავრცელებულია ტ-ის აგების ორკომპონენტიანი სქემები (ნახ.). ყოველი კომპონენტი წარმოადგენს ლინზების ჯგუფს. პირველი მათგანი დადებითია, მეორე — უარყოფითი. კომპონენტებს ისეთნაირად შეაულლებენ, რომ წინ, ობიექტივის ფარგლების გარეთ, გაიტანონ უკანა მთავარი სიბრტყე (H') და დაამოკლონ მანძილი (L). დამოკლების მაჩვენებელი $K_ტ = L/f'$. ზოგიერთ ტ-ში ლინზების ბოლო ჯგუფის საფოკუსო მანძილი დადებითია და $K_ტ$ თითქმის 1-ის ტოლია. ასეთ ტ-ებს განიხილავენ როგორც ლინზების სამჯგუფიან სისტემებს.

ტელეოლოგია (ბერძნ. telos, ნათ. ბრ. teleos—შედეგი, დასრულება, მიზანი და ...*ლოგია*), იდეალისტური მოძღვრება *მიზნისა და მიზანშეწონილობის* შესახებ. *დეტერმინიზმის* საპირისპიროდ, ზოგჯერ კი მის დამატებით პოსტულატად ტ. მიიჩნევს მიზეზობრიობის გარკვეულ სახეს — მიზნობრივს, რ-იც უპასუხებს კითხვაზე: რისთვის, რა მიზნით ხდება ესა თუ ის პროცესი. „საბოლოო მიზეზის" („Causa finalis") ეს პრინციპი, რ-ის მიხედვით იდეალურად პოსტულირებული მიზანი, ანუ საბოლოო შედეგი, ობიექტურ ზემოქმედებას ახდენს პროცესის მსვლელობაზე. ტ. სხვადასხვა კონცეფციაში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი, თუმცა თითოეული მათგანისათვის საერთოა ბუნებრივი პროცესების იდეალისტური ანთროპომორფიზაცია, რ-ის მიხედვით ბუნებას აქვს მიზანსწრაფვა, რაც ფაქტობრივად მხოლოდ ადამიანის უნარს წარმოადგენს.

ტელეორმანი (Teleorman), ჟუდეცი სამხრ. რუმინეთში. ფართ. 5,9 ათ. *კმ*², მოსახლ. 526 ათ. კაცი (1979). ადმ. ც. — ქ. ალექსანდრია. იღებენ ნავთობს, განვითარებულია ქიმ., მანქანათსაშ., კვების მრეწველობა. მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, პარკოსნები, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ყურძენი. მისდევენ მეცხოველეობას.

ტელეპათია (*ტელე*... და ბერძნ. pathos — აღქმა, გრძნობა), *პარაფსიქოლოგიის* ერთ-ერთი სახე, გულისხმობს ადამიანთა შორის ინფორმაციის აზრობრივი გადაცემის ისეთ ფორმებს, რ-იც სცილდება გრძნობის ორგანოებისა და სხვა ბიოლ. და ფსიქოლ. ფაქტორებით განპირობებულ ასახვის ფარგლებს. პარაფსიქოლ. ტ-ის მიმდევრების აზრით, ზოგიერთ ადამიანს (პერციპიენტს ანუ რეციპიენტს) აქვს სპეციფ. უნარი იმისა, რომ გარკვეულ, ზოგჯერ ძალიან დიდ მანძილზე მიიღოს სხვა ადამიანისაგან (ინდუქტორისაგან) ინფორმაცია ობიექტური საგნებისა და ადამიანის შესახებ ე. წ. აზრიული შთაგონების გზით, რისი შესაძლებლობაც არ აიწერება ფსიქოლ. ცნებების თანამედროვე აპარატით. განასხვავებენ ე. წ. სპონტანური ტ-ის შემთხვევებს (როცა აიწერება ხელსაყრელი ეპიზოდური შემთხვევები) და ექსპერიმენტით მიღებულ ტელეპათიურ ფაქტებს. მიღებული შედეგები შეიძლება არ იყოს სანდო, ვინაიდან არ ხერხდება კვლევის

მეთოდური შემოწმება, კვლევის განმეორება. ამასთან, არცთუ ისე იშვიათია თაღლითობისა და არაკეთილსინდისიერების შემთხვევები.

გრძნობის ორგანოების გარეშე ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობის თეორ. დაშვების საფუძველზე 1965 რადიოტექ. და ელექტროკავშირის სამეცნ.-ტექ. საზ-ბის მოსკ. გამგეობასთან ორგანიზებულ იქნა ე. წ. ბიოინფორმაციის სექცია, რ-იც მიზნად ისახავს ტ-ისა და ანალოგიური მოვლენების შესწავლას.

გ. მჭედლიშვილი.

ტელარეგულირება, *ტელემექანიკის* საშუალებებით განხორციელებული დისტანციური რეგულირება; *ტელემართვის* სახეობა, რ-ის დროსაც სარეგულირებელი პარამეტრის მიმდინარე მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა მართვის პუნქტს *ტელეგაზომვის* არხით, სადაც პარამეტრი შედარდება მოცემულ სიდიდეს, გამომუშავდება გაუთანხმოების სიგნალი და ტელემართვის არხით გადაეცემა საკონტროლო პუნქტს. აქ სიგნალი გარდაიქმნება მმართველ ზემოქმედებად. ამ დროს ოპერატორი ტელეგაზომვის მოწყობილობის საშუალებით თვალყურს ადევნებს სამართი პარამეტრის ცვლილებას. როცა პარამეტრის მიმდინარე მნიშვნელობა გაუტოლდება მოცემულს, ოპერატორი გზავნის ბრძანებას მართვის ობიექტზე ზემოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ტელესიგნალიზაცია, *ტელემექანიკის* საშუალებებით განხორციელებული დისტანციური სიგნალიზაცია; ტელემექანიკის ნაწილი, რ-იც უზრუნველყოფს დისკრეტული ინფორმაციის გადაცემას მანძილზე საკონტროლო ობიექტის მდგომარეობის (ღია—დაკეტილია, ჩართულია—ამორთულია) შესახებ და ამ ინფორმაციის წარმოდგენას ოპერატორისათვის მოსახერხებელი ფორმით. ტ-ს ხშირად იყენებენ *ტელემართვასთან* ერთად. ტ. ოპერატორს გადასცემს ამოსავალ მონაცემებს ობიექტის მართვისათვის საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად. დისპეტჩერის პულტზე სიგნალების აღწარმოება ხდება ოპტ. ინდიკატორებით, ზოგჯერ კი ბგერითი სიგნალით.

„ტელესკოპ“, რუსული ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1831—36, გამოცემდა ნ. ნადეჟდინი; 1835—36 თანაგამომცემელი იყო ბ. ბელინსკი. თავდაპირველად გამოდიოდა 2 კვირაში ერთხელ, 1934-იდან — კვირაში ერთხელ. იყო გაზ. „მოლვის“ დამატება. იბეჭდებოდა ბ. ბელინსკის სტატიები, ა. პუშკინის პამფლეტები და სხვ. „ტ-ში“ ჩაეყარა იდეური საფუძველი *სლავოფილობას* და მედასავლეთეობას (იხ. *მედასაველეთეები*). ჟურნალის დახურვის საბაბი გახდა პ. ჩაადაევის „ფილოსოფიური წერილების“ გამოქვეყნება.

ტელესკოპი (*ტელე...* და *...სკოპი*), ასტრონომიული ხელსაწყო; იყენებენ ციურ ობიექტებზე დასაკვირვებლად. არსებობს სამი ტიპის ტ.: ლინზიანი (*რეფრაქტორები*), სარკიანი (*რეფლექტორები*) და სარკიან-ლინზიანი სისტემები. იყენებენ ნიუტონისეული, კასეგრენისეული, ნესმითისეული და რიჩი-კრეტიენის ოპტ. სისტემის მქონე რეფლექტორებს (უკანასკნელი ყველაზე გავრცელებულია), სარკიან-ლინზიანი სისტემის შმიდტისა და მაქსუტოვის ტიპის ტ-ებს.

ტ-ებისა და სინათლის რეგისტრაციის სხვადასხვა სახის მიმღებების კომბინაციას იყენებენ ციური ობიექტების ვიზუალური, ფოტოგრაფიული, სპექტრული და ფოტოელექტრული დაკვირვებებისათვის. ტ-ების ძირითადი მახასიათებლებია კუთხოვანი გადიდება, შუქძალა, გარჩევის უნარი და შეღწევადობა. თანამედროვე ტ. რთული ოპტ.-მექან. და ელექტრონული კომპლექსია. აბასთუმნისა და ყირიმის ასტროფიზ. ობსერვატორიებში ექსპლუატაციაშია ტ.—სრული ავტომატი, რ-საც მართავს ელექტრონული გამომთვლელი მანქანა.

ლიტ.: ხარაძე ე., ზოგადი ასტროფიზიკის კურსი, გამოც. მე-2, თბ., 1962.

ტელესკოპი (ლათ. Telescopium), ცის სამხრ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი.* ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეა* 3,5. დაკვირვებისათვის ხელსაყრელი პირობებია ივლ.-აგვ-ში. ნაწილობრივ ჩანს სსრკ სამხრ. რ-ნების ტერიტორიიდან, მ. შ. საქართველოდანაც.

ტელესკოპის დანადგარი, ტელესკოპის ნაწილი, რ-ზედ დამაგრებულია ოპტიკური მილი. მისი ძირითადი ნაწილებია ფუძე ან სვეტი, ორი ერთმანეთის პერპენდიკულარული ღერძი ტელესკოპის მილის მოსაბრუნებლად, ამძრავები და მობრუნების კუთხის ათვლის სისტემა. განასხვავებენ ტ. დ-ის ორ ძირითად ტიპს: ეკვატორულსა (პარალაქსურს) და აზიმუტურს (ჰორიზონტულს). უკანასკნელს ალტ-აზიმუტურსაც უწოდებენ. ეკვატორულ ტ. დ-ში ერთი ღერძი მიმართულია დედამიწის ბრუნვის ღერძის პარალელურად (საათიერი ანუ პოლარული ღერძი), მეორე კი მისი პერპენდიკულარულია (დახრილობის ღერძი). აზიმუტურ ტ. დ-ში ერთი ღერძი ვერტიკალურია და ტელესკოპს აბრუნებს აზიმუტის მიხედვით, მეორე კი, რ-ზეც მილია დამაგრებული, აბრუნებს ზენიტური მანძილის მიხედვით.

ამჟამად გამოიყენება ტ. დ-ის სამი ტიპი: ინგლ., გერმ. და ამერიკული (ნახ.).

ინგლ. ტ. დ-ში პოლარული ღერძი ეყრდნობა მერიდიანში დადგმულ ორ ბოძს. დახრილობის ღერძის ერთ ბოლოზე დამაგრებულია მილი, მეორე ბოლოზე კი — მისი გამაწონასწორებელი საპირწონე.

გერმ. ტ. დ-ში პოლარული ღერძის ერთ ბოლოზე დამაგრებულია მილი, ხოლო მეორე ბოლოზე —მილის გასაწონასწორებელი საპირწონე; დანადგარი ძირითადად გამოიყენება რეფრაქტორებისა და ასტროგრაფებისათვის.

ამერ. ტ. დ-ში ჩანგლის ტიპის დადგმულობაა, რ-ზეც დამაგრებულია ჩრდ-კენ მიმართული მილი. რკინაბეტონის ბოძზე იდგმება ტელესკოპის ფუძე პოლარული ღერძით, რ-ის ზედა ბოლოს უერთდება მასიური ჩანგალი. ჩანგლის ბოლოები ნახევარღერძებით შეერთებულია მილთან. ღერძის გარშემო ბრუნავს ტელესკოპის მილი. საბჭ. კავშირში დადგმულ ექვსმეტრიან ტელესკოპში გამოყენებულია ალტ-აზიმუტური ტ. დ.

სპეც. დაკვირვებებისათვის გათვალისწინებულ ასტრონ. ინსტრუმენტებში იყენებენ უფრო რთული კონსტრუქციის მრავალღერძიან ტ. დ-ებს.

ტელესკოპური ანტენა, მიმღები (ან გამომსხივარი) *ანტენა*, რ-ის ელემენტებს (მაგ., ვიბრატორის მხრებს) აწყობის დროს სიგრძის შესაცვლელად და ბრასამუშაო მდგომარეობაში გაბარიტების შესამცირებლად ამზადებენ დაახლ. ერთნაირი ზომის ლითონის გამოსაწევი მილების სახით. მილები ერთმანეთში უნდა შედიოდეს მჭიდროდ, რაც საჭიროა კარგი ელექტრული კონტაქტის უზრუნველსაყოფად და საჭირო მდგომარეობაში მათი ფიქსაციისათვის.

ტ. ა-ს იყენებენ უმთავრესად რადიომიმღებთან ერთად, აგრეთვე მიმღებ-გადამცემ რადიოსადგურებში, მოძრავ ობიექტებზე დაყენებულ ტელევიზორებთან ერთად და ოთახის სატელევიზიო ანტენად.





ტელეტაიპი (*ტელე...* და ინგლ. type — წერა მანქანით), კლავიატურიანი მიმღებ-გადამცემი ასოთსაბეჭდი *სტარტ-სტოპური აპარატი*; იყენებენ კავშირგაბმ. არხებით დიდ მანძილზე ცნობათა გადასაცემად ტელეგრამის ან კოდოგრამის სახით, აგრეთვე შეტანა-გამოტანის მოწყობილობად ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში და მონაცემების დამუშავების ავტომატიზებულ სისტემაში. მიღებული ცნობა ავტომატურად იწერება ტელეგრაფის აპარატში ჩადებულ ქაღალდის რულონზე.

ტელეჯა, სოფელი თერჯოლის რ-ნში (რუფოთის სოფსაბჭო), მდ. ჩხარის (ჩოლაბაურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 200 *მ*, თერჯოლიდან 4 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ*. რუფოთის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. რუფოთში (1 *კმ*). ბ-კა.

ტელეფიზისის ბრძოლა 553, ბრძოლა ეგრის-ბიზანტიისა და ირანის ჯარს შორის *ეგრისის დიდი ომის* დროს ტელეფიზისის ციხისათვის (ახლანდ. სოფ. ტოლები, სამტრედიის რ-ნი). ტელეფიზისის ციხე ბიზანტიელებს ძლიერ გამაგრებული ჰქონდათ. ირანელების სარდალმა მერმეროემ მის ასაღებად ხერხს მიმართა: ხმა გაავრცელა თითქოს უკურნებელი სენით დაავადდა და გარდაიცვალა. ბიზანტიელებმა სიფხიზლე მოადუნეს. ირანელებმა ამით ისარგებლეს და ტელეფიზისის ციხე მოულოდნელად აიღეს.

წყარო: ა გ ა თ ი ა ს ჭ ო ლ ა ხ ტ ი კ ო ს ი, წგნ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, ტფ., 1936. *ა. ბოგვერაძე.*


ტელეფონი (*ტელე...* და *...ფონი*), 1. ელექტრული რხევების ბგერით რხევებად გარდამქმნელი ელექტროაკუსტიკური ხელსაწყო. გარდაქმნის პრინციპის მიხედვით ტ. არის ელექტრომაგნ., ელექტროდინამ. ან პიეზოელექტრული. ტ-ს შეუძლია იმუშაოს, როგორც *მიკროფონმა*. ამიტომ მას შექცევად გარდამქმნელს უწოდებენ. კონსტრუქციის მიხედვით თანამედროვე ტ. არის კაფსულიანი (დახურული, დაუშლელი) და ელექტრომაგნიტური. კაფსული უზრუნველყოფს ტ-ის ელექტროაკუსტიკური მახასიათებლების სტაბილურობასა და საიმედო ტენიზოლაციას. ადვილია დაზიანებული კაფსულის შეცვლა ახლით. ელექტრომაგნ. ტ-ის მთავარი ელემენტებია (იხ. ნახ.) მუდმივი მაგნიტი, სპილენძის მავთულის გრაგნილებიანი შესამაგნიტებელი პოლუსური ზესადგამები (პზ) და მემბრანა. მაგნიტი ჩაწნეხილია კაფსულის კორპუსში, მემბრანა კი დევს კორპუსის ბორტებზე. მემბრანა არ არის ჩაჭერილი და შეკავებულია ადგილზე ჩაღუნულ მდგომარეობაში მუდმივი მაგნიტის პზ-ის მიზიდულობის ძალით. მემბრანასა და პზ-ს შორის მოთავსებული შუასადები ათანაბრებს ტ-ის სიხშირულ მახასიათებელს. კოჭების გრაგნილები ერთმანეთთან შეერთებულია თანმიმდევრულად. იმის მიხედვით, თუ როგორია გრაგნილებში ელექტრული დენის მიმართულება, ცვლადი მაგნ. ნაკადი ან ამცირებს, ან ზრდის მემბრანის საწყის მიზიდულობას, რის შედეგად მემბრანა ირხევა და წარმოქმნის ბგერებს. ტ-ს იყენებენ *ტელეფონის აპარატებში, ტელეფონის კომუტატორებში*, სხვადასხვა რადიოტექ. მოწყობილობაში, სათავო ტ-ში და ა. შ. 2. ყოფაცხოვრებაში გავრცელებული (ტექნიკურად არასწორი) ტ-ის აპარატის სახელწოდება, აგრეთვე მისი სააბონენტო ნომერი. 3. *სატელეფონო კავშირგაბმულობის* შემოკლებული სახელწოდება. *თ. კუპატაძე.*

ტელესკოპის დანადგარის ტიპები: ა — არასიმეტრიული ინგლისური დანადგარი; ბ—გერმანული დანადგარი სწორ სვეტზე; გ—ამერიკული დანადგარი (ჩანგლით); დ — საბჭოთა 6-მეტრიანი БТА ტელესკოპის აზიმუტური დანადგარი. 1—ფუძე (ან სვეტი); 2 — პოლარული ღერძი; 3—დახრილობის ღერძი; 4—ტელესკოპის მილი; 5—ღერძთა ჭიახარხნული წყვილი; 6—საათიერი მექანიზმი; 7—ღერძთა მობრუნების კუთხეების ათვლის წრეები; 8 — ღერძთა პიდროსტატიკური საკისრები; 9—საპირწონე; 10 — აზიმუტური დანადგარის ვერტიკალური ღერძი; 11 — აზიმუტური დანადგარის პორიზონტული ღერძი.

ტელეფონია, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რ-იც შეისწავლის *სატელეფონო კავშირგაბმულობის* თეორიას და ქმნის (ამუშავებს) კავშირგაბმულობის ტექნიკურ საშუალებებს. ტ. მოიცავს ტელეტრაფიკის, კომუტაციის ავტომ. სისტემების, კავშირგაბმ. ქსელების, სიგნალების გადაცემის, მრავალარხიანი კავშირგაბმულობის, კავშირგაბმ. ხაზებისა და სხვათა თეორიას.

ტ ე ლ ე ტ რ ა ფ ი კ ი ს თ ე ო რ ი ი ს



ტელეფონის აპარატი. ნახ. 1. ტელეფონის აპარატის გამარტივებული სტრუქტურული სქემა: 1—ტელეფონი; 2—ტრანსფორმატორი; 3—მიკროფონი; 4—ბალანსური კონტური; 5—ნომერამკრეფის იმპულსური კონტაქტები; 6—პოლარიზებული ზარი; 7 — ბერკეტული გადამრთველი; R—რეზისტორი; C—კონდენსატორი.

საგანია ინფორმაციის განაწილების სისტემებში გამოძახების ნაკადთა მომსახურების პროცესის რაოდენობრივი შეფასება. ამასთან განიხილავს სატელეფონო დატვირთვასა და მის გაანგარიშებას, მომსახურების ხარისხს, დანაკარგს სისტემებში, მაერთებელი მოწყობილობისა და ხაზების ანგარიშს. შეტყობინების თეორიის მათ. მოდელირების ამოცანებს და სხვ.

კომუტაციის ავტომატური სისტემების თეორია შეისწავლის ტ-ის ფიზ. საფუძვლებს. გარდამქმნელების (*მიკროფონი, ტელეფონი*) გაანგარიშებასა და კონსტრუირებას, ავტომ. კომუტაციის, კვანძების საკომუტაციო სისტემებისა და მმართველი მოწყობილობის აგების პრინციპებს, მმართველი და სახაზო სიგნალების გადაცემის მეთოდებს, ტელეფონის სადგურის ტექ. ექსპლუატაციის საკითხებს და ა. შ.

კავშირგაბმულობის ქსელების თეორიაში განიხილება ქსელების აგების, ინფორმაციის ნაკადის განაწილების, მისი დინამ. მართვის, ქსელების ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევის, კვანძწარმოქმნის პრინციპების, ინტეგრ. კავშირგაბმ. ქსლის შექმნის, კომუტაციის სისტემების შედარებისა და ანალიზის საკითხები.

სიგნალების გადაცემის თეორია შეისწავლის კავშირგაბმ. არხებით ინფორმაციის გადაცემის ზოგად სტატისტ. კანონზომიერებებს, სიგნალების გადაცემისა და მიღების ხერხების პოტენციურ შესაძლებლობ-ა, სიგნალების კოდირებისა და დაბრკოლებამდგრადობის მეთოდებს, უწყვეტი შეტყობინების გადაცემის საკითხებს და სხვ.

მრავალარხიანი კავშირგაბმულობის თეორია სწავლობს კავშირგაბმ. ხაზების შემჭიდროების პრინციპებს, მრავალარხიან აპარატურასა და სხვ.

კავშირგაბმულობის ხაზების შესწავლის საგანია საქალაქთაშორისო, საქალაქო და სასოფლო კავშირგაბმ. ხაზების აგების პრინციპები, კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზების კონსტრუქციები და ელექტრული მახასიათებლები, მიმმართველ სისტემებში (კაბელში, ტალღასატარში) ელექტრომაგნ. სიგნალების გავრცელების საკითხები და სხვ.


თანამედროვე ტ-ის განვითარების აქტუალური პრობლემებია უახლესი ტიპის საკომუტაციო კვანძებში (კვაზიელექტრონული, ელექტრონული) ელექტრონიკისა და გამოთვლითი ტექ. მიღწევების ფართო გამოყენება, ოპტ. დიაპაზონის სიგნალების კომუტაცია და გადაცემა.

ლიტ.: Автоматические системы коммутации, под ред. О. Н. Ивановой, 2 изд., М., 1978; Лившиц Б. С., Пшеничников А. П., Харкевич А. Д., Теория телетрафика, 2 изд., М., 1979

ო. ჩხაიძე.



ნახ. 2. ბელის ტელეფონის აპარატი (1897 წლის ნიმუში).



ნახ. 3. ტა—68 ტიპის ტელეფონის აპარატი.



ნახ. 4. ტასტატურიანი ტელეფონის აპარატი „ელექტრონიკა ელეტაპ-მიკრო".



ი. ტელმანი

ტელეფონის აპარატი, *სატელეფონო კავშირგაბმულობის* სისტემის მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა სამეტყველო ინფორმაციის გადაცემა და მიღება. ტ. ა. შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: **საკომუტაციო-გამოსაძახებელი** (გამოძახების მისაღები, სხვა აპარატებთან შესაერთებელი და გამოსათიში) და **სალაპარაკო,** რ-იც უზრუნველყოფს მეტყველების მიღებასა და გადაცემას. ტ. ა-ის საკომუტაციო-გამოსაძახებელი მოწყობილობის აგების პრინციპი განისაზღვრება მომსახურე *ტელეფონის სადგურის* (ხელის ტელეფონის სადგური ან ავტომ. ტელეფონის სადგურის — ატს) ტიპის მიხედვით. ატს-ის ტ. ა-ის სტრუქტურული სქემა შეიცავს გამოსაძახებელ და სალაპარაკო მოწყობილობას, ბერკეტულ გადამრთველსა და ნომერამკრეფს. ტ. ა-ის ყურმილში მოთავსებულია მიკროფონი და ელექტრომაგნ. ტელეფონი. ტ. ა-ის ტრანსფორმატორი განაცალკევებს მიკროფონის კვების წრედს ტელეფონის ცვლადი დენის წრედისაგან და ბალანსური კონტურის საშუალებით მნიშვნელოვნად ამცირებს საკუთარი ლაპარაკის სმენადობას. გამოსაძახებელი მოწყობილობაა ცვლადი დენის პოლარიზებული ზარი, რ-იც შეერთებულია ხაზთან, როდესაც ყურმილი დევს ბერკეტულ გადამრთველზე. ნომერამკრეფი იმპულსური კონტაქტებით თიშავს და აერთებს ტ. ა-ში გამავალ დენის წრედს და ხაზში წარმოქმნის აკრეფილი ციფრის შესაბამისი რაოდენობის დენის იმპულსებს. აბონენტის დროის ეკონომიის მიზნით ფართოდ ინერგება ღილაკებიანი ნომერამკრეფი—ტასტატურიანი ტ. ა. ტ. ა-ის განსაკუთრებული სახეობებია ტაქსოფონი, ხმამაღლამოლაპარაკე ტ. ა., *რადიოსატელეფონო კავშირისათვის* გამოყენებული მიკროსატელეფონო გარნიტური, *ვიდეოტელეფონი* და სხვ.

ლიტ. იხ. სტ-თან ტელეფონია.

ნ. ყავლაშვილი.

ტელეფონის კომუტატორი, სააბონენტო, მაერთებელი და საქალაქთაშორისო სატელეფონო ხაზების ხელით შესაერთებელი (ხაზის საკომუტაციოდ) სატელეფონო კავშირგაბმულობის მოწყობილობა. ტ. კ-ს იყენებენ სადაწესებულებო, საქალაქო, სასოფლო და საქალაქთაშორისო *ტელეფონის სადგურებში.* სააბონენტო აპარატების მიკროფონთა წრედების ელექტრული კვების ხერხის მიხედვით განასხვავებენ ადგილ. ბატარეისა (ბ) და ცენტრ. ბატარეის (ცბ) ტ. კ-ებს. ზოგჯერ იყენებენ ამ სისტემების კომბინაციასაც. ტ. კ-ის ძირითადი ელემენტებია სააბონენტო კომპლექტები, ზონართა წყვილები და საერთო კომუტაციის ხელსაწყოები. ტ. კ-ის ძირითადი ტიპებია ბ×2 (ტევადობა 30 და 100 ნომერი) და ცბ×2 (ტევადობა 160 ნომერი). იყენებენ აგრეთვე ცბ×3 და ცბ×3×2 ტიპის ტ. კ-ს. ამ უკანასკნელს აქვს სამსადენიანი ზონარი და 2 დამატებითი რელე ზონარის ყოველ წყვილში.

ტელეფონის სადგური, ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რ-ის დანიშნულებაა *სატელეფონო ქსელის* კავშირგაბმულობის არხების კომუტაცია. ტ. ს-ში ხდება სააბონენტო და კავშირგაბმ. მაერთებელი ხაზების ურთიერთდაკავშირება აბონენტებს შორის ინფორმაციის გასაცვლელად საჭირო დროის განმავლობაში. ტ. ს. კავშირგაბმ. კვანძის სახეობაა. კომუტაციის ხერხის მიხედვით იგი ორგვარია: ხელით მომსახურებისა (ხტს) და ავტომატური (ატს).

ხტს შედგება *ტელეფონის კომუტატორებისაგან.* არხების კომუტაციას აწარმოებს ოპერატორ-ტელეფონისტი. *ავტომატური ტელეფონის სადგურები* მათში გამოყენებული საკომუტაციო ხელსაწყოების მიხედვით არის ელექტრომექანიკური (მანქანური, დეკადურ-ბიჯური, კოორდინატური), კვაზიელექტრონული და ელექტრონული (იხ. *ელექტრონული ავტომატური ტელეფონის სადგური*). ელექტრომექან. ატს-ში საკომუტაციო ხელსაწყოებად იყენებენ მანქანურ, ბიჯურ, დეკადურ-ბიჯურ *მაძიებლებს* და *მრავალჯერად კოორდინატულ მაერთებლებს,* კვაზიელექტრონულ ატს-ში იყენებენ სწრაფმოქმედ ჰერკონულ და ფერიდულ რელეებს, ხოლო ელექტრონულ ატს-ში — ნახევრადგამტარიან ხელსაწყოებზე აგებულ *ელექტრონულ კომუტატორებს.* სატელეფონო ქსლებში მოქმედი სხვადასხვა ტიპის ატსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურისა და მუშაობის *ალგორითმის* მიხედვით. მმართველი მოწყობილობის (მმ) აგების მიხედვით ატს არის ინდივიდ. (მანქანური, დეკადურ-ბიჯური), მმ ძებნის ცალკეულ საფეხურზე (კოორდინატული) და ცენტრალიზებული (კვაზიელექტრონული, ელექტრონული). ატს შედგება მმ და საკომუტაციო სისტემისაგან (სს), შემყვანი მოწყობილობისაგან (სააბონენტო და მაერთებელი ხაზების კროსი, მაგისტრალური, სააბონენტო *კავშირგაბმულობის კაბელი* და მაერთებელი ხაზების კაბელები), ელექტრული კვების წყაროსა (ცვლადი დენის გამმართველი მოწყობილობა, სარეზერვო აკუმულატორული ბატარეა და სხვ.) და დამხმარე მოწყობილობისაგან. სს და მმ განლაგებულია სადგურის საავტომატე დარბაზში.

სს ქმნის მაერთებელ გზებს ატს-ის შესასვლელებსა და გამოსასვლელებს შორის. მას მართავს მმ გამომძახებელი აბონენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სს შედგება ცალკეული ბლოკებისაგან, რ-ებიც წარმოადგენენ საკომუტაციო ხელსაწყოების ერთობლიობას, ამასთან ფიქსირებულია მათი შესასვლელებისა და გამოსასვლელების რაოდენობა. ელექტრომექან. ატს-ში აბონენტთა კავშირი მყარდება ძებნის საფეხურის (ძს) რამდენიმე ეტაპად (ნახ. 1, ა, ბ). ჯგუფური ძს-ის რაოდენობა დამოკიდებულია სატელეფონო ქსლის ტევადობაზე (დეკადურ-ბიჯური ატს-ის მაქსიმალური ტევადობა 10 000 ნომერია, კოორდინატულისა კი — 20 000). კვაზიელექტრონული ატს-ის სს შეიცავს სააბონენტო და მაერთებელი ხაზების საკომუტაციო ბლოკებს (ნახ. 1, გ). აქ კავშირი მყარდება ერთ ეტაპად.

კავშირგაბმ. განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება სს-ის მართვისათვის სპეციალიზებული ელექტრონული მმართველი მანქანების გამოყენების ტენდენციით, რაც საშუალებას იძლევა ამაღლდეს ატს-ის საიმედოობა, შემცირდეს აპარატურის გაბარიტები, ელექტროენერგიისა და საექსპლუატაციო დანახარჯები და სხვ. კომუტაციის პროცესების შემდგომი ავტომატიზაცია ხორციელდება კავშირგაბმ. ერთიანი ავტომატიზებული სისტემის (მოიცავს ელექტროკავშირგაბმ. ყველა სახეს სსრკ-ში) მოთხოვნების შესაბამისად.

ლიტ. იხ. სტ-თან ტელეფონია.

მ. გაბადაძე.

ტელეძსი, *სააბონენტო ტელეგრაფირების* საერთაშორისო ქსელი. აერთიანებს 100-ზე მეტ ნაციონალურ ქსელს. თითოეული მათგანი აღჭურვილია ავტომატური საკომუტაციო სადგურ „ტელექსით" — დეკადურ-ბიჯური სადგურით, სადაც დადგმულია ნომრის დისკური ამკრები (იხ. *სატელეგრაფო სადგური*). ტ-ის საერთაშ. უბნებზე იყენებენ სიხშირული ტელეგრაფირების არხებსა და რადიოარხებს.

ტელეშოვი ნიკოლოზ დიმიტრის ძე [29. X (10. XI). 1867, მოსკოვი, —14. III. 1957, იქვე], რუსი საბჭ. მწერალი.

რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1938). 80—90-იანი წლებიდან წერდა მამხილებელ მოთხრობებს. სოც. პროტესტით იყო გამსჭვალული ტ-ის რევოლუციამდელი და 1905 — 07 რევ. პერიოდის პროზა („სიმღერა სამ ჭაბუკზე", „მცელაევები", „წყვდიადში" და სხვ.). საბჭ. პერიოდში შექმნა ვრცელი მოთხრობა „დასასრულის დასაბამი" (1933), მემუარები „მწერლის ჩანაწერები" (1925—43) და სხვ.

ტელი (Tell) ვილპელმ, შვეიცარიელი ხალხური ლეგენდის გმირი. ლეგენდაში აისახა ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლა XIV ს-ში. ურის კანტონის სოფ. ბიურგლენის მცხოვრებმა ტ-მა უარი თქვა შეესრულებინა ფოგტის (თანამდებობის პირი) გესლერის ბრძანება — თავი დაეკრა ავსტრიის ჰერცოგის ქუდისათვის, რ-იც მოედანზე ეკიდა. დასასჯელად ტ-ს უბრძანეს თავისი შვილის თავზე დადებული ვაშლის მშვილდით ჩამოგდება. ტ-მა შეასრულა ეს მოთხოვნა ისე, რომ ბავშვს არაფერი ავნო, მაგრამ შემდეგ ჩაუსაფრდა გესლერს და მოკლა, რაც სახალხო აჯანყების დაწყების ნიშნად იქცა. ამ ლეგენდის მიხედვით ფ. შილერმა შექმნა დრამა „ვილპელმ ტელი" (1804), რ-იც საფუძვლად დაედო როსინის ამავე სახელწ. ოპერას (1829).

ტელმანი (Thälmann) ერნსტ (16. IV. 1886, ჰამბურგი, — 18. VIII. 1944, ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი), გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 1893—1900 სახალხო სკოლაში სწავლობდა. 1923-მდე ტრანსპორტის მუშა იყო. 1903 შეუდგა გერმ. ს.-დ. პარტიაში (გსდპ). იყო ჰამბურგის ახალგაზრდობის პროფკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. I მსოფლიო ომის (1914—18) წინ იბრძოდა პროფკავშირული და ს.-დ. პარტიის ლიდერთა ოპორტუნისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. იზიარებდა კ. *ლიბკნეხტისა* და რ. *ლუქსემბურგის* მოსაზრებებს კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, გმობდა იმპერიალ. ომს. 1915 ფრონტზე წავიდა. 1917 რუსეთში ოქტ. რევ. გამარჯვებამ განსაზღვრა მისი ბრძოლის შემდგომი მიზანი და მიმართულება. აქტიურად მონაწილეობდა 1918 ნოემბ. რევოლუციაში, როგორც გერმ. დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის (გდსდპ) მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი. 1919 მაისიდან ხელმძღვანელობდა გდსდპ-ის ჰამბურგის ორგანიზაციას. 1920 გდსდპ-ისა და გერმ. კომპარტიის (გკპ) შერწყმის შემდეგ 1923 აირჩიეს გკპ ცკ-ის წევრად, ხოლო 1925 მის თავრედ. 1921 ზაფხულში პირველად იყო მოსკოვში, როგორც კომინტერნის III კონგრესის დელეგატი. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭ. რუს. წარმატებებმა. 1925-იდან სათაოეში ედგა წითელფრონტელთა კავშირს, 1924 აირჩიეს რაიხსტაგში. იყო კომინტერნის აღმასკომის თავ-რის ერთ-ერთი მოადგილე (1924-იდან), 1925 და 1932 მისი კანდიდატურა წამოაყენეს პრეზიდენტის პოსტზე. ტ-ის ინიციატივით 1932 ორგანიზებულ იქნა ანტიფაშისტური მოძრაობა. მისი დაჟინებითი მოთხოვნით გკპ-ის ცკ-მა შესთავაზა გსდპ-ის ხელმძღვანელობას ერთობლივად ებრძოლათ ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ, მაგრამ გსდპ-ის მემარჯვენე ლიდერებმა უარი თქვეს ერთობლივ მოქმედებაზე, ამან შეასუსტა პროლეტარიატის ძალა, ხელი შეუწყო ფაშისტების მოსვლას ხელისუფლების სათაოეში. 1933 ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ ტ. არალეგალურად მუშაობდა. 1933 წ. 3 მარტს გესტაპოს აგენტებმა იგი დააპატიმრეს. 1944 მოკლეს ბუხენვალდში ჰიტლერისა და ჰიმლერის ბრძანებით. გდრ-ში სოციალ. საზ. წყობილების დამყარება და მეგობრული კავშირი სსრკ-სა და სოციალ. სხვა ქვეყნებთან ტ-ის ანდერძის განხორციელებაა. *ს. თურნავა.*

ტელმანი (ყოფ. შრომისუბანი), სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (აცანის სოფსაბჭო), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 130 *მ*, ლანჩხუთიდან 10 *კმ*. აცანის ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). დაწყ. სკოლა. სამ. სკოლა სოფ. აცანაში (3 *კმ*). ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

ტელომერიზაცია, უჯერი ნაერთების ან ციკლური მონომერების ჯაჭვური რეაქცია, რ-იც მიმდინარეობს ჯაჭვის გადამცემში ნივთიერების (ტელოგენის) თანაობისას, რის შედეგად წარმოიქმნება დაბალმოლეკულური ჰომოლოგების (ტელომერების) ნარევი.

ტ. პოლიმერიზაციის კერძო შემთხვევაა. ტ-ში გამოყენებული მონომერებიდან ყველაზე კარგად შესწავლილია ეთილენი, α-ოლეფინები, ვინილქლორიდი, ვინილაცეტატი, პერფთორეთილენი, აცილისა და აკრილის ნაერთები, დიენები და ა. შ. ტელოგენებად გამოყენებულია CCl_4, $CHCl_3$ და სხვ. ტ-ის აღმძვრელად კი — ზეჟანგები, აზონაერთები, გარდამავალ ლითონთა ნაერთები, ძლიერი მინერალური და აპროტონული მჟავები, ტუტე ლითონები და სხვ.

ტ-ს იყენებენ ოლიგომერების მისაღებად და სხვ.

ტელეზისი (კომი ენაზე — ქარების კლდე), უმაღლესი მწვერვალი ჩრდ. ურალში (კომის ასსრ). სიმაღლე 1617 *მ*. აგებულია კრისტ. ფიქლებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით. კალთები 500—600 *მ* სიმაღლემდე შემოსილია ტაიგით, უფრო ზევით მთის ტუნდრაა.

ტელუგუ ენა, ტელუნგუ, ტენუგუ, ტენუნგუ. განეკუთვნება დრავიდულ ენათა სამხრეთ-აღმოსავლურ ჯგუფს. გავრცელებულია ანდჰრა-პრადეშის შტატში (ინდოეთი), ტამილნადისა და მაისურის მომიჯნავე რ-ნებში, აგრეთვე სამხრ.-აღმ. აზიის ზოგ ქვეყანაში; ტ. ე-ზე ლაპარაკობს 53 მლნ. კაცი (1977, შეფასება). ბევრი რამ აქვს ნასესხები სანსკრიტიდან და პრაკრიტებიდან. ფონეტიკა და მორფოლოგია უახლოვდება საერთო დრავიდული ენებისას. ტ. ე-ს აქვს საკუთარი ანბანი, რ-იც იმეორებს დევანაგარის ყველა ნიშანს. განსხვავებული ნიშნები აქვს l-სა და r-სთვის.

ლიტ.: Зограф Г. А., Языки Индии, Пакистана, Цейлона и Непала, М., 1960.

ტელუგუს ლიტერატურა, ტელუგუ (ანდჰრა) ხალხის ლიტ-რა, ერთ-ერთი ინდური ლიტ-რა. ჩაისახა IX—X სს-ში. ჩვენს დრომდე მოღწეული ადრინდ. ნაწარმოებია ნანაია ბჰატას (1022 — 63) მიერ სანსკრიტიდან გადმოლებული „მაჰაბჰარატა" — „ანდჰრა მაჰაბჰარატა". სანსკრიტულ თხზულებათა სიუჟეტების თავისუფალი გადამუშავების ტრადიცია მთელი შუა საუკ. ლიტ-რას გასდევს. ტ. ლ.-ში პეროიკული ბალადის ჟანრი შემოიტანა პალკურიკი სომანატჰამ (1160—1240), პეროიკულ ეპოსს კი საფუძველი ჩაუყარა ტიკანამ (1230—1300). აღსანიშნავია ბამერა პოტანას (დაახლ. 1405—1450-80 შორის, შემოქმედება (პოემა „დიდებული თქმულება ღმერთზე").

XVI ს. ტელუგუს კულტ. და ლიტ-რის „ოქროს ხანა" იყო. ვიჯაიანაგარის სკოლის ლიტ-რისთვის დამახასიათებელია ინტერესი ადამიანის პიროვნებისადმი, ფსიქოლ. სილრმე (პოეტები იმპ. კრიშნადევარაია, ალასანი პედანა, ნანდი ტიმანა და სხვ.). XVII—XVIII სს. — ანდჰრის სახელმწიფოებრიობისა და კულტ. დაცემის ხანა — „უიმედობის ხანა" უწოდებენ. ამ პერიოდში შეიქმნა ფორმალისტური, ეროტული საკარო პოეზია („ორმაგი" და „სამმაგი" აზრის პოეზია, ორნამენტული პოეზია). აღსანიშნავია სატირიკოსი პოეტის ეემანას (1700—50) შემოქმედება.

XIX—XX სს. მიჯნაზე საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ტ. ლ-ს. შეიქმნა ახ. ლიტ. ფორმები და ჟანრები. ანდჰრის განმანათლებლობას სათავეში ჩაუდგა კანდუკური ვირესალინგამი (1848—1919). XX ს. დასაწყისში აღორძინდა ლირ.-რომანტ. პოეზია, რ-საც 30—40-იან წლებში დეკადენტობისა და ესთეტიზმის ნიშნებიც დაეტყო. 30-იან წლებში წარმოიქმნა რევ. რომანტიზმის მიმდინარეობა „აბჰიუდაიამი" („პროგრესი"), რ-ის მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა შრირანგამ შრინივასამ (ფსევდ. შრი-შრი დ. 1910), ისევე როგორც სხვა პოეტებმა, გაიცადა ფუტურიზმისა და სიურრეალიზმის გავლენა. 40-იან წლებში ტ. ლ. განიმსჭვალა ეროვნ.-განმათ. ბრძოლის პათოსით. 50—60-იან წლებში ზოგიერთი მწერალი ეგზისტენციალიზმსა და ფროიდიზმს მისდევდა (სუდარშანამი, დ. 1933; ბჰასკარაბჰატლა კრიშნა რაო, 1918—1962), წარმოსახავდა გმირების ქვეცნობიერ ცხოვრებას. მოდერნიზმის ესთეტიკის გარკვეული გავლენის მიუხედავად განვითარდა რეალისტური სოც.-ფსიქოლ. რომანი, სოც. მოთხრობა (ტ. გოპიჩანდი, 1910—1967; კ. კუტუმბა რაო), ფსიქოლ. ნოველა (პალაგუმი პადმარაზუ, დ. 1915). XX ს. II ნახ. პოეზიაში გაძლიერდა ნეოკლასიციზმი. უკანასკნელ პერიოდში აღმოცენდა ანარქიული პროტესტის გამომხატველი მიმდინარეობა „გაშიშვლებული პოეზია" (დიგამბარა).

ლიტ.: Гуров Н., Петруничева З., Литература телугу, М., 1967; Ситапати Г. В., Литература телугу, წგნ.: История индийских литератур, пер. с англ., М., 1964.

ტელუკბეტუნგი (Telukbetung), ქალაქი ინდონეზიაში, კ. სუმატრაზე, ლამპუნგის ყურის ნაპირზე. ლამპუნგის პროვ. ადმ. ცენტრი. 199 ათ. მცხ. (1971). ტ-ის ნავსადგურ პანჯანგიდან გააქვთ კაუჩუკი, პილპილი, ყავა.


ტელური (Tellurium), Te, ელემენტთა პერიოდული სისტემის VI ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 52, ატ. მასა 127,60, $t_{დნ}$ 450°C, $t_{დუღ}$ 990°C, სიმკვრივე 6250 *კგ/მ*^{3}, მოვერცხლისფრო — რუხი ფერის ლითონური ბზინვარების ნივთიერება. გახურების დროს პლასტიკური ხდება. გაწურვებისა და ესთეტიზმის ნიშნებიც დაეტყო. 30-იან წლებში წარმოიქმნა რევ. რომანტიზმის მიმდინარეობა „აბჰიუდაიამი" („პროგრესი"), რ-ის მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა შრირანგამ შრინივასამ (ფსევდ. შრი-შრი დ. 1910), ისევე როგორც სხვა პოეტებმა, გაიცადა ფუტურიზმისა და სიურრეალიზმის გავლენა. 40-იან წლებში ტ. ლ. განიმსჭვალა ეროვნ.-განმათ. ბრძოლის პათოსით. 50—60-იან წლებში ზოგიერთი მწერალი ეგზისტენციალიზმსა და ფროიდიზმს მისდევდა (სუდარშანამი, დ. 1933; ბჰასკარაბჰატლა კრიშნა რაო, 1918—1962), წარმოსახავდა გმირების ქვეცნობიერ ცხოვრებას. მოდერნიზმის ესთეტიკის გარკვეული გავლენის მიუხედავად განვითარდა რეალისტური სოც.-ფსიქოლ. რომანი, სოც. მოთხრობა (ტ. გოპიჩანდი, 1910—1967; კ. კუტუმბა რაო), ფსიქოლ. ნოველა (პალაგუმი პადმარაზუ, დ. 1915). XX ს. II ნახ. პოეზიაში გაძლიერდა ნეოკლასიციზმი. უკანასკნელ პერიოდში აღმოცენდა ანარქიული პროტესტის გამომხატველი მიმდინარეობა „გაშიშვლებული პოეზია" (დიგამბარა).

ლიტ.: Гуров Н., Петруничева З., Литература телугу, М., 1967; Ситапати Г. В., Литература телугу, წგნ.: История индийских литератур, пер. с англ., М., 1964.

ტელუკბეტუნგი (Telukbetung), ქალაქი ინდონეზიაში, კ. სუმატრაზე, ლამპუნგის ყურის ნაპირზე. ლამპუნგის პროვ. ადმ. ცენტრი. 199 ათ. მცხ. (1971). ტ-ის ნავსადგურ პანჯანგიდან გააქვთ კაუჩუკი, პილპილი, ყავა.

ტელურები (Tellurium), Te, ელემენტთა პერიოდული სისტემის VI ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 52, ატ. მასა 127,60, $t_{დნ}$ 450°C, $t_{დუღ}$ 990°C, სიმკვრივე 6250 *კგ/მ*^{3}, მოვერცხლისფრო — რუხი ფერის ლითონური ბზინვარების ნივთიერება. გახურების დროს პლასტიკური ხდება. გაწურვებისა და ესთეტიზმის ნიშნებიც დაეტყო. 30-იან წლებში წარმოიქმნა რევ. რომანტიზმის მიმდინარეობა „აბჰიუდაიამი" („პროგრესი"), რ-ის მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა შრირანგამ შრინივასამ (ფსევდ. შრი-შრი დ. 1910), ისევე როგორც სხვა პოეტებმა, გაიცადა ფუტურიზმისა და სიურრეალიზმის გავლენა. 40-იან წლებში ტ. ლ. განიმსჭვალა ეროვნ.-განმათ. ბრძოლის პათოსით. 50—60-იან წლებში ზოგიერთი მწერალი ეგზისტენციალიზმსა და ფროიდიზმს მისდევდა (სუდარშანამი, დ. 1933; ბჰასკარაბჰატლა კრიშნა რაო, 1918—1962), წარმოსახავდა გმირების ქვეცნობიერ ცხოვრებას. მოდერნიზმის ესთეტიკის გარკვეული გავლენის მიუხედავად განვითარდა რეალისტური სოც.-ფსიქოლ. რომანი, სოც. მოთხრობა (ტ. გოპიჩანდი, 1910—1967; კ. კუტუმბა რაო), ფსიქოლ. ნოველა (პალაგუმი პადმარაზუ, დ. 1915). XX ს. II ნახ. პოეზიაში გაძლიერდა ნეოკლასიციზმი. უკანასკნელ პერიოდში აღმოცენდა ანარქიული პროტესტის გამომხატველი მიმდინარეობა „გაშიშვლებული პოეზია" (დიგამბარა).

ლიტ.: Гуров Н., Петруничева З., Литература телугу, М., 1967; Ситапати Г. В., Литература телугу, წგნ.: История индийских литератур, пер. с англ., М., 1964.



ტელეფონის სადგური. ნახ.2. ავტომატური ტელეფონის სადგურების გამარტივებული სტრუქტურული სქემები: ა—დეკადურ-ბიჯური; ბ—კოორდინატული; გ—კვაზიელექტრონული; 1—წინასწარი ძებნის საფეხური; 2—ჯგუფური ძებნის საფეხური; 3—ხაზური ძებნის საფეხური; 4—სააბონენტო ძებნის საფეხური; 5— სააბონენტო ხაზების ბლოკი; 6—მაერთებელი ხაზების ბლოკი.

ტემპერატურა დნობისა

ზოგიერთი ნივთიერების დნობის ტემპერატურა

ნივთიერება	$t_{დნ}$, °C
წყალბადი	— 259,1
ჟანგბადი	— 218,7
აზოტი	— 210
არგონი	— 189,3
ეთილის სპირტი	— 114
ქლორი	— 101
მეთილის სპირტი	— 97,9
აცეტონი	— 95,35
გერცხლისწყალი	— 38,9
ნიტრობენზოლი	5,8
ძმარმჟავა	16,7
გლიცერინი	17,9
ნაფთალინი	80,3
ნატრიუმი	97,8
იოდი	113,6
α-ქაფური	178,5
თუთია	419,5
ალუმინი	660,4
სპილენძი	1083
რკინა	1539
ვოლფრამი	3410

გამოკლებით). ცნობილია ზოგიერთი ტ-ის ორგ. ნაწარმი, მაგ., $RTeH$, დიალკილტელურიდები R_2Te — უსიამოვნო სუნის ადვილმდუღარე სითხეები.

ტ-ს ღებულობენ ძირითადად სპილენძის ელექტროლიზის შლამისაგან, რ-იც შეიცავს 0,5-იდან 2% Te, აგრეთვე Ag, Au, Se და სხვ. ტ-ს იყენებენ ნახევრად გამტარების ტექნიკაში, მინებისა და მინანქრების წარმოებაში, შენადნობების (თუჯის, ფოლადის) მალეგირებელ დანამატად და სხვ.

ლიტ.: Кудрявцева А. А., Химия и технология селена и теллура. 2 изд., М., 1968.

ტელურიუმი (ლათ. tellus, ნათ. ბრ. telluris — დედამიწა), ხელსაწყო, რ-იც თვალნათლივ გვიჩვენებს დედამიწის ორბიტულ გარემოქცევას მზის ირგვლივ და მის ბრუნვას საკუთარი ღერძის გარშემო. დედამიწას განასახიერებს მცირე სფერო, მზეს — უფრო დიდი სფერო ან სინათლის რომელიმე წყარო. „დედამიწის“ ბრუნვის ღერძი ტ-ში თავისთავის პარალელურად გადაადგილდება. ზოგ ტ-ში არის მთვარის გამომსახველი მცირე სფეროც.

ტელური ხაზები, ხაზები, რ-ებიც ციურ სხეულთა სპექტრში წარმოიშობა დედამიწის ატმოსფეროს აირების (ჟანგბადი, წყლის ორთქლი, ოზონი, ნახშიროჟანგი და სხვ.) მოლეკულების მიერ სინათლის შთანთქმით. ტ. ხ. მათთვის დამახასიათებელი სიგანის გამო წარმოადგენს უფრო ზოლებს, რის გამო დედამიწის ატმოსფერო სპექტრის ზოგ უბანში თითქმის გაუმჭვირვალეა. ტ. ხ. ძლიერდება მნათობის მიახლოებისას ჰორიზონტთან; არა აქვს კოსმ. დოპლერისეული წანაცვლება. აღმოაჩინა დ. *ბრიუსტერმა* 1832, მზის სპექტრზე დაკვირვებისას.

ტელფერი (ინგლ. telpher), საკიდი ტვირთამწევი მოწყობილობა (ტალი), რ-საც აქვს ელექტრული ამძრავი.

ტემბრი (< ფრანგ. timbre), ბგერის თვისება („ელფერი“, „ხასიათი“), რ-იც განასხვავებს სხვადასხვა საკრავზე და სხვადასხვა ხმით შესრულებულ ერთსა და იმავე სიმაღლის ბგერას; ა განასხვავებს ერთი ხმით წარმოთქმულ სხვადასხვა ბგერას; გამოხატავს მოლაპარაკის გრძნობებს, განცდებს—სიხარულს, შიშს და ა. შ. ტ-ის აღქმა დამოკიდებულია ბგერის სპექტრზე (სხვადასხვა და განსაზღვრული ამპლიტუდის ბგერით რხევათა კომბინაციაზე) და ფონემატურ სმენაზეც (ამა თუ იმ ენის ფონემ. ერთეულთა აღქმის უნარზე). მაგ., თუ მხოლოდ ქართული ვიცით, ძნელია გაეარჩიოთ სვანური *ა* და *ა*, *ი* და *ე*.

ტემზა (Thames), მდინარე დიდი ბრიტანეთის სამხრ. ნაწილში. სიგრძე 334 *კმ*, აუზის ფართ. 15,3 ათ. *კმ*². სათავე აქვს კოტსუოლდის მაღლობზე. უმთავრესად მიედინება ლონდონის აუზში. ერთვის ჩრდილოეთის ზღვას. შესართავთან ქმნის ესტუარს (სიგრძე 16 *კმ*). ლონდონთან მდინარის სიგანეა 200—250 *მ*. საზრდოობს წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი ქვემო დინებაში 260 $მ^3/წმ$, მაქს. ზამთარშია. იყინება მხოლოდ ძალიან ცივ ზამთარში. ქვემო დინებაში განიცდის მოქცევის გავლენას, რ-ის სიმაღლე ლონდონთან 6—6,5 *მ*. წყალდიდობისაგან დასაცავად ტ-ის ქვემო დინებაში აგებულია ჯებირები, ქ-ებში—სანაპიროები. სანაოსნოა თითქმის მთელ სიგრძეზე. ტ-ის ნაპირებზეა ქ-ები: ლონდონი, ოქსფორდი, რედინგი. ტ. ძვ. არხებით შეერთებულია ირლანდიის ზღვასთან და ბრისტოლის ჭურესთან.

ტეში (საკ. სახელწ. — ტემბა), ტოგოს ცენტრ. რ-ნებში მცხოვრები ხალხი. რაოდ. მონათესავე ტომებთან ერთად დაახლ. 730 ათ. კაცი (1978, შეფასება). საკუთრივ ტ. 50 ათ. კაცზე მეტია. ენა განეკუთვნება გურის ჯგუფს (ცენტრ. ბანტოიდურს). ტ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი ისლამის მიმდევარია, ინარჩუნებენ ტრად. რწმენებსაც. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება.

ტემპერა (იტალ. tempera <temperare— სალებავების შეზავება), სალებავებით ფერწერა. შემაკავშირებელ ნივთიერებად იყენებენ წყალში გახსნილ კვერცხის გულის ემულსიას, რ-საც უმატებენ ასევე წყალში გაზავებულ, ზეთში არეულ (ან ზეთი და ლაქი) მცენარეულ ან ცხოველურ წებოს. ტ. ცნობილი იყო ძვ. ეგვიპტეში. შუა საუკუნეებში დაზგური ფერწერის ძირითადი მასალა გახდა. ზოგჯერ იყენებდნენ შენობის მოსახატავად, ხატწერაში. საქართველოში ფრესკებს ტ-ით ასრულებდნენ IX ს-იდან. დას. ევროპაში XV ს-იდან (რუსეთში XVIII ს-იდან) ტ. შეცვალა ზეთის საღებავებმა. XIX ს. დასასრ. და XX ს-ში ისევ ფართოდ მიმართავენ დაზგურ და დეკორ.-გამოყენებითს ხელოვნებაში. ტ-ით შესრულებული ნახატები ზეთის ფერებთან შედარებით გამძლეა.

ტემპერამენტი (ლათ. temperamentum— ნაწილების სათანადო შეხამება), ინდივიდის კომპლექსური დახასიათება მისი ფსიქიკური მოქმედების დინამიკური თვისებების, ე. ი. ცალკეული ფსიქიკური პროცესებისა და მდგომარეობის ტემპის, რიტმის ინტენსიურობის მიხედვით. ტ-ის სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს 3 ძირითადი კომპონენტი: ინდივიდის საერთო აქტივობა, მისი მოძრაობითი (მოტორული) გამოვლენა და ემოციურობა. ხშირად ტ. აღიარებულია პიროვნების ემოციური ცხოვრების დისპოზიციად. ტ-ის შესახებ მოძღვრებათა ისტორიაში გამოყოფენ შეხედულებათა 3 სისტემას იმ ფაქტორების შესახებ, რ-ებიც განსაზღვრავენ ტ-ის გამოვლენას ადამიანის ქცევაში. უძველესი მათგანი, ჰუმორალური სისტემა, ეკუთვნის *ჰიპოკრატეს*, რ-მაც გამოყო ტ-ის 4 ტიპი ორგანიზმში 4 სახის სითხის (სისხლი, ნაღველი, შავი ნაღველი და ლორწო) გარკვეული შეფარდებით არსებობის საფუძველზე. რომელიმე სითხის სიჭარბე, მისი აზრით, განსაზღვრავს გარკვეულ ტ-ს: სისხლისა— სანგვინიკურს, ნაღველისა — ქოლერიკულს, ლორწოსი — ფლეგმატიკურს და შავი ნაღველისა — მელანქოლიკურს. სანგვინიკური ტ-ის მქონე ადამიანი ხასიათდება გრძნობების აღგზნებადობით, მას გრძნობები სწრაფად აღმოუცენდება და სწრაფადვე უქრება, ამასთან უფრო დადებითი ემოციები ახასიათებს. ქოლერიკი მოძრავი, ენერგიული ტიპია. მასაც ადვილად აღმოუცენდება გრძნობები, რ-ებიც უმეტესად უარყოფითია და სწრაფად არ ქრება. ფლეგმატიკოსს გრძნობები ძნელად უჩნდება, მაგრამ ისინი მტკიცე და სერიოზულია, ჭარბობს დადებითი გრძნობები. მელანქოლიკს გრძნობები ძნელად უჩნდება და ისინი უმეტესად უსიამოვნო, უარყოფითია. ტ-ის ჰიპოკრატესეული კლასიფიკაცია ითვლება კლასიკურად. ი. *კანტი* ტ-ის საფუძვლად სისხლის თვისებრივ თავისებურებებს მიიჩნევდა. გერმ. ფსიქოპათოლოგმა ე. კრეჩმერმა დაამუშავა ტ-ის მორფოლ. თეორია, რ-ის თანახმად, ტ. დამოკიდებულია სხეულის აღნაგობის ტიპზე (იხ. *ადამიანის კონსტიტუცია*).

ჰუმორალური და მორფოლ. თეორიების ნაკლი ისაა, რომ ტ-ის განმსაზღვრელ ფაქტორებად აღიარებულია ორგანიზმის ისეთი სისტემები, რ-თაც ასეთი თვისებები არა აქვთ.

ი. *პავლოვმა* სცადა ტ-ის ტიპებისათვის საფუძვლად დაედო ცენტრ. ნერვული სისტემის ტიპოლოგიური თავისებურებები, მაგრამ ცხოველებზე ჩატარებული ცდებით მიღებული ეს შედეგები აძნელებს მის გავრცელებას ადამიანზე.

გ. მჭედლიშვილი.

ტემპერატურა (ლათ. temperatura — თანაშეზომილობა, ნორმალური მდგომარეობა), ფიზიკური სიდიდე, რ-იც ახასიათებს მაკროსკოპული სისტემის *თერმოდინამიკური წონასწორობის* მდგომარეობას. თერმოდინ. წონასწორობის მდგომარეობაში მყოფი იზოლირებული სისტემის ყველა ნაწილის ტ. ერთი და იგივეა. თუ იზოლირებული სისტემა არ არის წონასწორობაში, მაშინ დროის განმავლობაში ენერგიის გადასვლა (თბოგადაცემა) სისტემის მეტად გახურებული ნაწილიდან ნაკლებად გახურებულში გამოიწვევს ტ-ის გათანაბრებას მთელ სისტემაში (პირველი პოსტულატი ანუ თერმოდინ. წესლოვანი საწყისი). წონასწორულ პირობებში ტ. სხეულის ნაწილაკების საშ. კინეტიკური ენერგიის პროპორციულია. ტ. განსაზღვრავს: სისტემის წარმომქმნელი ნაწილაკების განაწილებას, ენერგიის დონეების (იხ. *ბოლცმანის სტატისტიკა*) და ნაწილაკების განაწილებას სიჩქარეების მიხედვით (იხ. *მაქსველის განაწილება*), ნივთიერების იონიზაციის ხარისხს, სხეულთა წონასწორული ელექტრომაგნ. გამოსხივების თვისებებს—გამოსხივების სპექტრულ სიმკვრივეს (იხ. *გამოსხივების პლანკის კანონი*), გამოსხივების სრულ მოცულობითს სიმკვრივეს (იხ. *გამოსხივების სტეფან—ბოლცმანის კანონი*) და ა. შ.

ზოგად შემთხვევაში ტ-ს განსაზღვრავენ როგორც სხეულის მთლიანი ენერგიის წარმოებულს *ენტროპიით*. ასე განსაზღვრული ტ. ყოველთვის დადებითია, რადგან კინეტიკური ენერგია დადებითია. მას უწოდებენ აბსოლ. ტ-ს ან ტ-ს თერმოდ. *ტემპერატურული სკალით*; აღნიშნავენ T-თი. აბსოლ. ტ-ის ერთეულად *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI) მიღებულია *კელვინი* (K). ხშირად ტ-ს ზომავენ ცელსიუსის სკალით (t,°C). იგი T-თან (K) დაკავშირებულია ტოლობით:

$$t = T - 273{,}15 \text{ K}, \text{ ამასთან, } 1°C = 1 \text{ K}.$$

ფიზიკური მოვლენების ტემპ-რული დიაპაზონი ძალიან დიდია (პრაქტიკულად ტ-ის აბსოლ. ნულიდან 10^{11}K-მდე). მკაცრად რომ ვთქვათ, ტ. ახასიათებს სხეულთა წონასწორულ მდგომარეობას, მაგრამ ტ-ის ცნებით ხშირად სარგებლობენ აგრეთვე ფიზ. სისტემებში ნაწილაკებისა და კვაზინაწილაკების არაწონასწორული განაწილების განხილვისას (არაწონასწორული პლაზმის ელექტრონული და იონური ტ., ფერითი ტ., სიკამკაშის ტ. და ა. შ).

ტემპერატურა გადაგვარებისა, ($T_{გად}$) ტემპერატურა, რ-ის ქვემოთ გამოკვეთილად მჟღავნდება იდეალური აირის ნაწილაკების იგივეობით განპირობებული კვანტური თვისებები (იხ. *იგივეობის პრინციპი*), ე. ი. აირი გადაგვარებული ხდება. ასეთი აირის თვისებები არსებითად განსხვავდება კლასიკური იდეალური აირის თვისებებისაგან ერთმანეთზე ერთნაირი ნაწილაკების კვანტურ-მექან. გავლენის გამო. არანულოვანი მასის მქონე ნაწილაკებისაგან შედგენილი ბოზე-აირისათვის ტ. გ. განისაზღვრება როგორც ტემპ-რა, რ-ის ქვემოთ ხდება ბოზე — აინშტაინის კონდენსაცია — სისტემის ნაწილაკთა მაკროსკოპული რაოდენობის გადასვლა ნულოვანი იმპულსის მდგომარეობაში. ფერმი-აირისათვის ტ. გ. უდრის კელვინით გამოსახულ, ე. ი. ბოლცმანის მუდმივაზე გაყოფილ ნაწილაკთა მაქს. ენერგიას ტემპ-რის აბსოლ. ნულის დროს. გადაგვარების ტემპ-რის ქვემოთ ფერმი-აირის თითქმის ყველა დაბალი ენერგეტ. დონე შეცვლებული აღმოჩნდება.

ტემპერატურაგამტარობა, ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი, ნივთიერების ფიზიკური პარამეტრი, რ-იც ახასიათებს მისი ტემპერატურის ცვლილების სისწრაფეს არასტაციონარულ სითბურ პროცესებში; ნივთიერების თბოინერციული თვისებების ზომა. ტ. უდრის ნივთიერების თბოგამტარობის კოეფიციენტის ფარდობას მისი კუთრი თბოტევადობისა (მუდმივი წნევის დროს)

და სიმკვრივის ნამრავლთან. გამოისახება $\beta^2/\rho\theta$-ით.

ტემპერატურა დნობისა ($T_{\text{დნ}}$), მყარი კრისტალური სხეულის თხევად მდგომარეობაში წონასწორული ფაზური გადასვლის ტემპ-რა მუდმივი გარე წნევის დროს. $T_{\text{დნ}}$ და p წნევას შორის თერმოდინ. დამოკიდებულება გამოისახება *კლაპეირონ–კლაუზიუსის განტოლებით*. რამდენადაც დნობა განპირობებულია ატომთშორისი (მოლეკულათშორისი) ბმების ნაწილის დარღვევით, $T_{\text{დნ}}$ დამოკიდებულია ატომთშორისი ბმების ტიპზე და კრისტ. მესრის სხვა მახასიათებლებზე.

ტემპერატურა დულილისა ($T_{\text{დულ}}$, T_s), სითხის ორთქლად წონასწორული ფაზური გადასვლის ტემპერატურა მუდმივი გარე წნევის დროს. ნორმალური გარე წნევის ($p_0 = 760$ *მმ ვწყ. სვ.* ანუ 101325 *პა*) დროს ამ ტემპ-რას უწოდებენ ნორმალურ ტ. დ-ს ან დუღილის წერტილს. ნაჯერი ორთქლის წნევის უმნიშვნელო გადახრისას ნორმალურიდან საკმარისი სიზუსტით სრულდება კრაფტის წესი: $\Delta T = C_0\,(760 - p)\,T$, სადაც ΔT არის დულილის ტემპ-რის გადახრა ნორმალურიდან, C_0 — ემპირიული კონსტანტა, p — წნევა, გამოსახული *მმ ვწყ. სვ*-ით, რ-ის დროსაც აბსოლ. T ტემპ-რა გაზომილი იყო K-თი. T_s და p_s ნაჯერი ორთქლის წნევას შორის თერმოდინ. დამოკიდებულება გამოისახება *კლაპეირონ–კლაუზიუსის განტოლებით*.

ტემპერატურა ფაზური გადასვლისა, ტემპერატურა, რ-ის დროსაც ფიზიკურ სისტემაში ხდება პირველი გვარის (დულილი, დნობა და სხვ.) ან მეორე გვარის (ზეგამტარობის მდგომარეობაში გადასვლა და სხვ.) წონასწორული ფაზური *გადასვლა. კლაპეირონ–კლაუზიუსის განტოლებისა* (პირველი გვარის ფაზური გადასვლებისათვის) და ერენფესტის თანაფარდობების (მეორე გვარის ფაზური გადასვლებისათვის) თანახმად, ტ. ფ. ჩ. დამოკიდებულია გარე წნევაზე (იხ. აგრეთვე *ფაზური გადასვლის სიბლანტე*).

ტემპერატურის შეგრძნებები, შეგრძნებათა სახე, რ-იც ასახავს ორგანიზმის ზედაპირსა და ობიექტს შორის თერმულ გაცვლა-გამოცვლას. რეცეპტორები განლაგებულია კანში. მათი გაღიზიანება შეიძლება როგორც საგნის უშუალო ზემოქმედებით (კონტაქტურად), ისე გარკვეული მანძილიდანაც (დისტანციურად). ტ. შ-ის რეცეპტორები კანის ზედაპირზე არათანაბრადაა განლაგებული. ტ. შ-ს ახასიათებს ძლიერი ადაპტაცია (შეგუება).

ისეთი საგნის შეხებას, რ-ის ტემპ-რა ემთხვევა ჩვენი სხეულის ზედაპირის ტემპ-რას და არ იწვევს ჩვენში შეგრძნებას, ტემპერატურის სუბიექტური ნული ეწოდება. უფრო მაღალი ტემპ-რა იწვევს თბილის, ცხელისა და ბოლოს წვის შეგრძნებას, უფრო დაბალი კი — ცივის, ყინულისა და ბოლოს ასევე წვის შეგრძნებას. ეს შეგრძნებები თვისებრივად ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ტემპერატურული გამოსხივება, იგივეა, რაც *სითბური გამოსხივება*.

ტემპერატურული სკალები, ტემპერატურის შესაპირისპირებელ რიცხვით მნიშვნელობათა სისტემები. ტემპ-რა არ არის ისეთი სიდიდე, რ-იც შეიძლება უშუალოდ გაიზომოს. მის მნიშვნელობას განსაზღვრავენ თერმომეტრიული ნივთიერების რომელიმე ისეთი x თვისების ტემპ-რული ცვლილების მიხედვით, რ-იც შეიძლება ადვილად გაიზომოს (იხ. *თერმომეტრია*). ტემპ-რის გასაზომად თერმომეტრიული ნივთიერების არჩევის შემდეგ საჭიროა დადგენილ იქნეს ათვლის საწყისი წერტილი და ტემპ-რის საზომი ერთეული — გრადუსი. ამნაირად ხდება ტ. ს-ის ემპირიული განსაზღვრა. ტ. ს-ზე ჩვეულებრივად აფიქსირებენ ორ ძირითად ტემპ-რას, რ-იც შეესაბამება ერთკომპონენტიანი სისტემის ფაზური წონასწორობის წერტილებს (ე. წ. რეპერული ანმუდმივი წერტილები), რ-თა შორის მანძილს უწოდებენ სკალის ძირითად ტემპ-რულ ინტერვალს. რეპერულ წერტილებად იყენებენ წყლის სამმაგ წერტილს, წყლის, წყალბადის და ჟანგბადის დულილის წერტილებს და სხვ. თუ ჩავთვლით, რომ კავშირი x და ტემპ-რას შორის წრფივია, მაშინ ტემპ-რა $t^{(x)} = n(x_t - x_0)/(x_n - x_0)$, სადაც x_t, x_0 და x_n არის x რიცხვითი მნიშვნელობები t ტემპ-რაზე და ძირითადი ინტერვალის საწყის და საბოლოო წერტილებში; $(x_n - x_0)/n$ — გრადუსის ზომა, n — ძირითადი ინტერვალის დანაყოფთა რიცხვი.

ამგვარად, ტ. ს. ტემპ-რის იმ თანამიმდევრული მნიშვნელობების სისტემაა, რ-ებიც წრფივად არიან დაკავშირებული გასაზომ ფიზ. სიდიდესთან (ეს სიდიდე უნდა იყოს ტემპ-რის მონოტონური და ცალსახა ფუნქცია). ზოგადად ტ. ს. შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ გამოყენებული ნივთიერებით (აირი, სითხე, მყარი სხეული), თერმომეტრიული თვისებით (სითბური გაფართოება, ელექტრული წინაღობის ცვლილება ტემპ-რის მიხედვით და სხვ.) და რეპერული წერტილების არჩევით. უმარტივეს შემთხვევებში ტ. ს. განსხვავდებიან ერთნაირი რეპერული ტემპ-რებისათვის მიღებული მნიშვნელობებით. მაგ., ცელსიუსის (°C), რეომიურისა (°R) და ფარენჰაიტის (°F) სკალებზე წყლის გაყინვისა და დუღილის წერტილებს ნორმალურ პირობებში მიეწერებათ ტემპ-რის სხვადასხვა მნიშვნელობა. თანაფარდობები, რ-ებითაც შეიძლება ტემპ-რის გადაანგარიშება ერთი სკალიდან მეორეზე, გამოისახება ასე:

$$t^\circ\text{C} = 1{,}25t^\circ\text{R} = 5(t^\circ\text{F} - 32)/9.$$

აბსოლუტური ემპირიულია ტ. ს., თუ მისი აბსოლ. ნული „შეესაბამება ისეთ ტემპ-რას, რ-ის დროსაც ფიზ. სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა ნულის ტოლია ($x = 0$). ტემპ-რა $t^{(x)}$ (ემპირიული ტ. ს-ის მიხედვით) და აბსოლ. ემპირიული ტემპ-რა $T^{(x)}$ დაკავშირებულია თანაფარდობით: $T^{(x)} = t^{(x)} + T_0^{(x)}$, სადაც $T_0^{(x)}$ არის ემპირიული ტემპ-რული სკალის აბსოლ. ნული. აბსოლ. ნულის შემოღება წარმოადგენს ექსტრაპოლაციას და არ გულისხმობს მისი რეალიზაციის აუცილებლობას.

ემპირიული ტ. ს-ის ნაკლია მათი დამოკიდებულება თერმომეტრიულ ნივთიერებაზე. ამ ნაკლისაგან თავისუფალია თერმოდინ. ტ. ს., რ-იც ეფუძნება *თერმოდინამიკის მეორე საწყისს*. 1954 ზომისა და წონის X გენ. კონფერენციაზე დადგენილ იქნა თერმოდინ. ტ. ს. ერთი რეპერული წერტილით — წყლის სამმაგი წერტილით, რ-ის ტემპ-რა მიღებულია ზუსტად 273,16 K ტოლად, რაც შეესაბამება 0,01°C. ტემპ-რა T აბსოლ. თერმოდინ. ტემპრულ სკალაზე იზომება *კელვინებით* (K). თანაფარდობა ცელსიუსის სკალაზე და ასბოლ. თერმოდინ. ტ. ს-ზე ათვლილ ტემპ-რებს შორის ასე გამოისახება:

$$T = t + 273{,}15\text{K},\ n\text{K} = n^\circ\text{C},$$

ამგვარად, ერთეულის ზომა ამ ტ. ს-ზე ერთნაირია.

თერმოდინ. ტ. ს-ის განხორციელება მეტად ძნელია, ამიტომ 1927 მიღებულ იქნა საერთაშ. პრაქტ. ტ. ს., რ-იც ემთხვევა თერმოდინ. ტ. ს-ს ისეთი სიზუსტით, რის საშუალებასაც ექსპერიმენტი იძლევა. ტემპ-რის საზომი ყველა ხელსაწყო დაგრადუირებულია საერთაშ. პრაქტ. ტ. ს-ის შესაბამისად.

ლიტ.: Гордов А. Н., Температурные шкалы, М., 1966.

ტემპერატურული ტალღა, გარემოში ტემპერატურის განაწილების პერიოდული ცვლილება, რ-იც დაკავშირებულია გარემოში შემავალი სითბოს ნაკადების სიმკვრივის პერიოდულ რხევებთან. ტ. ტ. გავრცელებისას ძლიერ მილევადია, მისთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი დისპერსია, ე. ი. სიჩქარის დამოკიდებულება სიხშირეზე. ჩვეულებრივ ტ. ტ-ის მილევის კოეფიციენტი დაახლ. უდრის $2\pi/\lambda$, სადაც λ ტალღის სიგრძეა. მონოქრომატული ბრტყელი ტ. ტ-ებისთვის, რ-ებიც მუდმივი განივკვეთის მქონე თბოიზოლირებული ღეროს გასწვრივ ვრცელდებიან, τ რხევის პერიოდსა და $\varkappa$ ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტთან λ დაკავშირებულია თანაფარდობით: $\lambda = 2\sqrt{\pi\varkappa\tau}$; ამასთან, ტალღის თხემების გადაადგილების სიჩქარე $v = 4\pi\varkappa/\lambda = \sqrt{4\pi\varkappa/\tau}$, ამრიგად, რაც ნაკლებია რხევის პერიოდი (ე. ი. ნაკლებია ტალღის სიგრძე), ტ. ტ. მით უფრო სწრაფად ვრცელდება და მცირე მანძილებზე მიილევა. ბრტყელი ტ. ტ-ის შეღწევის სიღრმე, რ-იც განისაზღვრება როგორც მანძილი, რ-ზედაც ტემპ-რის რხევები მცირდება $e \approx 2{,}7$-ჯერ, უდრის $\lambda/2\pi = \sqrt{\varkappa\tau/\pi}$, ე. ი. რაც ნაკლებია პერიოდი, მით უფრო ნაკლებია შეღწევის სიღრმე. მაგ., ტემპ-რის დღეღამური რხევების ნიადაგში შეღწევის სიღრმე 20-ჯერ ნაკლებია სეზონური რხევების შეღწევის სიღრმეზე. ტექნიკაში ტ. ტ-ებს ითვლისწინებენ შენობათა კედლების, შიგაწვის ძრავათა ბლოკების და სხვ. თბოგამტარობის გაანგარიშებისას.

ლიტ.: Карслоу Г. С., Егер Д., Теплопроводность твердых тел, пер. с англ., М., 1964.

ტემპერატურული ძაბვა, ძაბვა, რ-იც აღიძვრება სხეულში მის სხვადასხვა ნაწილში ტემპერატურის არათანაბარი განაწილებისა და მისი გარემომცველი ნაწილების ან გარემომცველი სხვა სხეულების მხრივ სითბური გაფართოების (ან შეკუმშვის) შესაძლებლობის შეზღუდვის შედეგად. ტ. ძ-ის მაგალითია ორ უძრავ საყრდენს შორის გაჭიმულ გამტარში მისი გაცივებისას აღძრული გამჭიმი ძაბვა. ტ. ძ-მ შეიძლება გამოიწვიოს მანქანათა ნაწილების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების რღვევა. ამის თავიდან ასაცილებლად იყენებენ ე. წ. ტემპ-რულ კომპენსატორებს (ღრეჩო რელსებს შორის, ღრეჩო კაშხალის ბლოკებს შორის, საგორავი ხიდის საყრდენებზე და ა. შ.).


ტემპერაცია (ლათ. temperatio — სწორი შეფარდება, თანაშეზომილობა) მუსიკაში, ინტერვალური შეფარდების გაწონასწორება ბგერის სიმაღლებრივი სისტემის საფეხურებს შორის. ტ-ის მიზანია ინტერვალების, განსაკუთრებით, კვინტების, სიდიდის ოდნავი შეცვლა, მათ ზუსტ აკუსტიკურ სიდიდესთან შედარებით (ბუნებრივი ბგერათრიგის მიხედვით). ეს ცვლილებები საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სტრუქტურის ყველა აკორდი და ტონალობა ინტერვალების აღქმის დადგენილი ნორმების დაურღვევლად, ფიქსირებული სიმაღლის საკრავის კონსტრუქციის გართულების გარეშე. ტ-ის საჭიროებამ XVI–XVIII სს-ში იჩინა თავი. 12-საფეხურიან თანაბრად ტემპერირებულ წყობაში ყველა წმინდა კვინტა შემცირებულია 1/12 პითაგორული კომით, რის გამოც ოქტავა გაიყო 12 ნახევარტონად და ყველა ერთგვაროვანი ინტერვალი გახდა ერთნაირი სიდიდისა.

ტემპი (იტალ. tempo < ლათ. tempus — დრო) მუსიკაში, მეტრულად თვლადი ერთეულების ცვლადობის სიჩქარე (იხ. *მეტრი*). ტ. მჭიდროდაა დაკავშირებული მუს. ხასიათთან. თავდაპირველად ტ. ნოტებში არ აღინიშნებოდა და შემსრულებელი მუსიკის შინაარსისა და ფაქტურის მიხედვით ირჩევდა მას. XVII ს-იდან ტ. აღინიშნება სპეც. იტალ. ტერმინებით. ძირითადი ტ-ებია: ლარგო, ლენტო, ადაჯიო (ნელი), ანდანტე, მოდერა-

ტემპერატურა დულილისა

ზოგიერთი ნივთიერების დულილის ტემპერატურა

ნივთიერება	$t_{\text{დულ}}$, °C
წყალბადი	— 252,6
აზოტი	— 195,8
არგონი	— 185,7
ჟანგბადი	— 182,98
ქლორი	— 34,1
აცეტონი	56,24
მეთილის სპირტი	64,5
ეთილის სპირტი	78,4
აზოტმჟავა	82,6
იოდი	184,35
გლიცერინი	290,0
გოგირდმჟავა	≈ 300
ნატრიუმი	882,9
თუთია	906
ალუმინი	2500
სპილენძი	2540
რკინა	2750
ოსმიუმი	≈ 5000
ტანტალი	≈ 5500



ტენზოგადამწოდი. ნახ. 1. ტენზოგადამწოდების გისოსები: მავთულისა—მარყუჟული (ა), ხვიური (ბ) და შესაკრავიანი (გ); ბრტყელი—დეფორმაციის ერთი კომპონენტის გასაზომად (დ), სამი კომპონენტის გასაზომად (ე) და რგოლური დეფორმაციების გასაზომად (ვ); 1—მავთული; 2—გისოსის გამომყვანები; 3—შესაკრავები; S —გადამწოდის ბაზა.

ტო (ზომიერი) და ალეგრო, ვივაჩე, პრესტო (ჩქარი). ტ-ის აღმნიშვნელ ხელსაწყოს მეტრონომი ეწოდება. მეტრონომული აღნიშვნები, რ-ებსაც კომპოზიტორი აკეთებს ნოტებში, წარმოადგენს მხოლოდ ორიენტირს შემსრულებლისათვის. მას შეუძლია გარკვეულ ფარგლებში ამ ტემპიდან გადახრა. ყველა ნაწარმოებს აქვს ერთი მთავარი ტ., თუმცა ცალკეული ფრაზის ტ. შეიძლება რამდენადმე აჩქარდეს ან შენელდეს (იხ. *აგოგიკა*). გვხვდება უფრო მნიშვნელოვანი გადახრები ძირითადი ტემპიდან, რაც აღინიშნება ტერმინებით: აჩელერანდო, სტრინჟენდო, პიუ მოსო (აჩქარება), რალენტანდო, რიტენუტო, მენო მოსო (შენელება). თავდაპირველ ტემპზე დაბრუნება აღინიშნება ტერმინით ტემპო პრიმო.

ტენარდიტი, სულფატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა Na_2SO_4. კრისტალდება რომბულ სინგონიაში. აქვს თეთრი მარცვლოვანი აგრეგატები. კარგად იხსნება წყალში, მომლაშო მწარე გემოსია. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2—3; სიმკვრივე 2680—2690 *კგ/მ*³. წარმოიქმნება ტბის ფსკერზე დალექვით. იყენებენ სოდისა და მინის მრეწველობაში.

ტენარი, თენარი (Thénard) ლუი ჟაკ (4. V. 1777, ლა-ლუპტიერი, ქ. ნოჟან-სიურ-სენის მახლობლად, — 20. VI. 1857, პარიზი), ფრანგი ქიმიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1810). კოლეჟ დე ფრანსის პროფესორი (1804—40), 1810-იდან პარიზის, უნ-ტისა და პარიზის პოლიტექ. სკოლის პროფესორი. ტ-მა *ჟ. გეი-ლუსაკთან* ერთად დაამუშავა კალიუმისა და ნატრიუმის მიღების მეთოდი მათი ჰიდროჟანგების აღდგენით რკინასთან გახურებისას. მიიღო ბორი (1808); დაადგინა სინათლის მოქმედება ქლორისა და წყალბადის რეაქციაზე (1809); შეიმუშავა ორგ. ნაერთების ანალიზის მეთოდი; დაამტკიცა, რომ ნატრიუმი, კალიუმი და ქლორი ელემენტებია (1810); აღმოაჩინა წყალბადის ზეჟანგი (1818). პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1826).

ტენარონი, მატაპანი (Tainaron, Matapan), კონცხი პელოპონესის ნ.-კ-ზე, საბერძნეთში, ბალკანეთის ნ.-კ-ის სამხრ. დაბოლოება (ჩ. გ. 36°26′, ა. გ. 22°29′).

ტენდენცია (< ლათ. tendo — წარემართავ, მივისწრაფვი), 1. რისამე განვითარების მიმართულება; რაიმესადმი მისწრაფება, მიდრეკილება. 2. წინასწარ შემუშავებული, ცალმხრივი აზრი, რ-საც თავს ახვევენ მკითხველს, მსმენელს. ტენდენციური — ცალმხრივი, მიკერძოებითი.

ტენდერი (ინგლ. tender < tend — მომსახურება), 1. *ორთქლმავალზე* მიბმული სამ-, ოთხ-, ექვსღერძიანი ურიკა, რ-ზეც მოთავსებულია წყლისა და საწვავის მარაგი. 2. მცირე ზომის ერთანძიანი აფრიანი გემი.

ტენდიპედიასებრნი (Chironomidae, Tendipedidae), ორფრთიანი მწერების ოჯახი. მათი სხეულის სიგრძე 1,5—15 *მმ* აღწევს. აქვთ გრძელი ფეხები, ფრთისებრი ულვაშები. ოჯახში 2000-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია ყველგან. მატლები და ჭუპრები ბინადრობენ მტკნარ წყალსატევში, ნიადაგში, ზღვასა და ოკეანეში. მატლები იკვებებიან წყალმცენარეებით, ბაქტერიებით, დეტრიტით; ზოგი მტაცებელია, იშვიათად — პარაზიტი. ფსკერული მატლები მტკნარი წყლის თევზების ძირითადი საკვებია.

ტენდოვაგინიტი (გვიანდ. ლათ. tendo — მყესი და vagina — ბუდე), მყესთვანი ბუდის ანთება. ვითარდება მტევნის, სხივ-მაჯის სახსრის, წინამხრის (სხივისა და იდაყვის ტენობურსიტი), ტერფის, კოჭ-წვივის სახსრისა და აქილევსის მყესის (აქილობურსიტი) მიდამოში. განარჩევენ ინფექციურ და კრეპიტაციულ ტ-ს. ინფექციური ტ. ვითარდება კანის განაკაწრიდან ან ნასკდომიდან მყესთვან ბუდეში ჩირქოვანი მიკროორგანიზმების მოხვედრისა და პანარიციუმის გართულების შედეგად. შეიძლება იყოს სეროზული, სეროზულ-ფიბროზული და ჩირქოვანი. ახასიათებს მყესის გაყოლებით ტკივილი, რ-იც ძლიერდება თითების ან მტევნის მოძრაობისას, კანის შეწითლება და შეშუპება, ადგილობრივად (ჩირქოვანი ტ-ის დროს კი მთელი სხეულის) ტემპ-რის მომატება და ინტოქსიკაციის სხვა ნიშნები. მკურნალობა: ადრეულ სტადიებში — ფიზიოთერაპია, იმობილიზაცია, ანტიბაქტერიული თერაპია; ჩირქოვანი ტ-ის დროს — ქირურგ. ჩარევა. კრეპიტაციული ტ. — მყესოვანი ბუდის ასეპტიკური ანთება, როგორც პროფ. დაავადება, უვითარდებათ პიანისტებს, მწვეველავებს, მემანქანეებს მტევნისა და წინამხრის მიდამოში. ძირითადი სიმპტომებია დაზიანებული მყესის ტკივილი და კრეპიტაცია (თავისებური ტკაცუნი) თითების მოძრაობისას. მკურნალობა: თითების ან მტევნის იმობილიზაცია, ფიზიოთერაპია, დაგვიანებული ან არასრული მკურნალობის დროს მოსალოდნელია რეციდივები.

ტენჩრიაკოვი ვლადიმერ თედორეს ძე (დ. 5. XII. 1923, სოფ. მაკაროვსკაია, ახლანდ. ვოლოგდის ოლქი), რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1948-იდან. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1947. ეკუთვნის ნარკვევები და მოთხრობები „ივანე ჩუპროვის დაცემა“ (1953), „ავდარი“ (1954), „ღრანტეები“ (1956), „მჭიდრო კვანძი“ (1956), „აღსასრული“ (1968), „ნაგვიანი ხორბლის სამი ტომარა“ (1973), „საზღვური“ (1979), რ-ებიც ეხება საბჭ. სოფლის სოც.-ეკონ. და ზნეობრივ პრობლემებს. ტ. მძაფრსიუჟეტიანი პატარ-პატარა მოთხრობების ოსტატია („სამიანი, შვიდიანი, ტუზი“, 1960; „სასამართლო“, 1961), აქვს რომანებიც („მსრბოლი დღის კვალდაკვალ“, 1959; „შეხვედრა ნეფერტიტისთან“, 1964). დაჯილდოებულია 2 ორდენით.

ლიტ.: Избр. произв., т. 1—2, М., 1963.

ტენეზმები (ბერძნ. teinesmos — ცრუ ჭინთვა < teinō — ვძაბავ), მტკივნეული, ცრუ ჭინთვები დეფეკაციის ან შარდვის დროს. იწვევს სწორი ნაწლავის ან შარდის ბუშტის კუნთების ტონური შეკუმშვა, ამავე დროს სფინქტერების სპაზმური შეკუმშვა ხელს უშლის ორგანოს დაცლას. ტ. აღინიშნება *დიზენტერიის*, სწორი ნაწლავის სხვადასხვა პათოლ. პროცესის (ანთება, ნახეთქები უკანა გასავალში, ბუასილი, სიმსივნე) დროს ან შარდის ბუშტისა და მიმდებარე ორგანოების (*ცისტიტი, პროსტატიტი*), ზურგის ტვინის დაავადებებისა (*მიელიტი, ზურგის ტვინის ტაბესი*) და სხვ. შემთხვევებში. მკურნალობა: ტ-ის ბირითადი გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია; ჩასაჯდომი აბაზანა, მიკროყნა (გვირილის ნაყენი, ვაზელინის ზეთი), ანტისპასტიკურპრეპარატებიანი სანთლები.


ტენესი (Tennessee), მდინარე აშშ-ის აღმ. ნაწილში, მდ. ოჰაიოს (მისისიპის აუზი) მარცხ. შენაკადი. წარმოიქმნება ქ. ნოქსვილთან პოულსტონისა და ფრენჩბროდის შეერთებით, რ-თაც სათავე აქვთ აპალაჩების დას. კალთებზე. სიგრძე ქ. ნოქსვილიდან 1050 *კმ*, მდ. ჰოულსტონის სათავიდან — 1470 *კმ*. აუზის ფართ. 104 ათ. *კმ*². წყალდიდობა იცის ზამთრის ბოლოსა და გაზაფხულზე. წყალმცირეა ზაფხულში, წყლის საშ. ხარჯი შესართავთან 1800 *მ*³/*წმ*. ტ-ზეა წყალსაცავები (კენტუკი, ფართ. 1100 *კმ*²) და ჰესები. არხებისა და რაბების საშუალებით სანაოსნოა მთელ სიგრძეზე. ტ-ის ნაპირებზეა ქ-ები: ნოქსვილი, ჩატანუგა, ფლორენსი.

ტენესი (Tennessee), შტატი აშშ-ის სამხრ. ნაწილში. ფართ. 109,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 4,6 მლნ. კაცი (1980), აქედან დაახლ. 60% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. ნეშვილი. სხვა მნიშვნელოვანი ქ-ებია მემფისი, ნოქსვილი, ჩატანუგა.

შტატის აღმ. ნაწილი უჭირავს აპალაჩებს, დას. ნაწილი — მისისიპის დაბლობს. ჰავა სუბტროპ. კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რა 3,5—5°C, ივლ. 25°C. ნალექები 1100—1200 *მმ* წელიწადში.

ტ. ინდუსტრ.-აგრ. შტატია. ტენესის ხეობაში არის ელექტროსადგურების კომპლექსი. მრეწვ. წამყვანი დარგებია ქიმ., ატომური მანქანათაშ., ხის დასამუშ., საფეიქრო, კვების, პოლიგრ. მრეწვ., ფერადი მეტალურგია. იღებენ ქვანახშირს, ფოსფორიტებს, თუთიას, მარმარილოს, სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის 2/3-ს იძლევა მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ღორი). მოჰყავთ თამბაქო, სოია, აგრეთვე სიმინდი, ხორბალი, ბამბა, საკვები ბალახი. სანაოსნოა მდ-ები მისისიპი, ტენესი.

ტენზოგადამწოდი, ელექტრული *ტენზომეტრის* შემადგენელი ნაწილი, რ-იც მყარი სხეულის დეფორმაციას გარდაქმნის ელექტრულ სიგნალად. ყველაზე ფართოდ გავრცელდა წინაღობის ტ., რ-იც დამზადებულია ტენზორეზისტორის (ტრ) ბაზაზე. ტ-ის მოქმედება ემყარება მის თვისებას — შეიცვალოს თავისი ელექტრული წინაღობა დეფორმაციის ზეგავლენით. კონსტრუქციულად ტრ წარმოადგენს მავთულისაგან ან კილიტისაგან (კონსტანტანი, ნიქრომი და სხვ.) დამზადებულ გისოსს (ნახ. 1) ან ნახევრად გამტარის (მაგ. Si) ფირფიტას. ტრ-ს მექანიკურად ხისტად უერთებენ ტ-ის დრეკად ელემენტს (ნახ. 2) ან ამაგრებენ უშუალოდ გამოსაკვლევ დეტალზე. დრეკადი ელემენტი აღიქვამს გამოსაკვლევი x პარამეტრის (წნევის, აჩქარებისა და სხვ.) ცვლილებას და გარდაქმნის მას გისოსის დეფორმაციად $\varepsilon(x)$, რაც იწვევს ტრ-ის წინაღობის შეცვლას $\Delta R(\varepsilon)=\pm K R_0 \varepsilon$ სიდიდით, სადაც R_0 ტრ-ის საწყისი წინაღობაა, K — ტენზომგრძნობიარობის კოეფიციენტი. წინაღობის ტ. მუშაობს დრეკადი დეფორმაციების არეში ($\varepsilon \leqslant 10^{-3}$). სიდიდე ΔR დამოკიდებულია არა მარტო ε-ზე, არამედ დრეკადი ელემენტის ტემპ-რაზეც: $\Delta R(\theta)=\alpha \cdot \Delta\theta \cdot R_0$, სადაც $\Delta\theta$ დრეკადი ელემენტის ტემპ-რის ცვლილებაა, α — ტრ-ის წინაღობის ფარდობითი ცვლილების ტემპ-რული კოეფიციენტი. ცდომილების შესამცირებლად საჭიროა ტემპ-რაზე შესწორების ავტომატურად შეტანა ან თერმოკომპენსაცია. ყველაზე მეტად გავრცელებულია „სქემური“ თერმოკომპენსაციის მეთოდი, რ-იც ითვალისწინებს ბოგური წრედების გამოყენებას. ნახ. 3-ზე ნაჩვენებია დრეკადი ელემენტის დეფორმაციის აღმქმელი 2 იდენტური ტრ-ის ბოგურ წრედში ჩართვის მაგალითი. ამასთან $\Delta R_1(\varepsilon)$ და $\Delta R_2(\varepsilon)$ სიდიდეებს აქვს სხვადასხვა ნიშანი, $\Delta R_1(\theta)$ და $\Delta R_2(\theta)$ სიდიდეებს კი — ერთი და იგივე ნიშანი. თუ ბოგურ წრედს ტრ ორი აქვს, მისი მ.შვეობით ტ-ის მგრძნობიარობა შეიძლება გადიდდეს 2-ჯერ, თუ ოთხი აქვს — 4-ჯერ. ამავე დროს უზრუნველყოფილია სრული თერმოკომპენსაცია.



ტენზოგადამწოდი. ნახ. 2. ტენზორეზისტორიანი გადამწოდის სქემა: 1—გისოსები; 2—დრეკადი ელემენტი; $R_1,\dots,R_4$ — ტენზორეზისტორები; X—გასაზომი პარამეტრი.

ლიტ.: Глаговский Б. А., Пивен И. Д., Электротензометры сопротивления, 2 изд., Л., 1972.

ტენზომეტრი (ლათ. tensus — დაძაბული და... *მეტრი*), საზომი ხელსაწყო, რ-ითაც ზომავენ მყარ სხეულებში მექანიკური ძაბვებით გამოწვეულ დეფორმაციებს. იყენებენ მანქანათა ნაწილებში, კონსტრუქციებში, ნაგებობებში, აგრეთვე მასალების მექანიკური გამოცდის დროს დეფორმაციათა განაწილების გამოსაკვლევად. ტ. არის მექანიკური (ნახ.) და ელექტრული. სხვადასხვა სისტემის მექან. ტ. შედგება ბერკეტებისა და ასათვლელი მოწყობილობისაგან. ტ-ით უმთავრესად ადგენენ დრეკადი მასალების სიმტკიცის მახასიათებლებს. ელექტრული ტ. რთულ პირობებში სტატ. და დინამ. დეფორმაციების დისტანციური გაზომვის საშუალებას იძლევა (იხ. აგრეთვე *ტენზოგადამწოდი*).

ტენზორი (<ლათ. tensus — დაძაბული, დაჭიმული), მათემატიკური ტერმინი, რ-იც გაჩნდა XIX ს. შუა წლებში. ამ დროიდან მოყოლებული ორი განსხვავებული აზრით იხმარება. ტერმ. „ტ." უპირატესად თანამედროვე ტენზორულ ალრიცხვაში გავრცელდა. აქ ტ-ს უწოდებენ განსაკუთრებული სახის სიდიდეებს, რ-ებიც განსაკუთრებული კანონით გარდაიქმნებიან. მექანიკაში, უმეტესად კი დრეკადობის თეორიაში, ტერმ. „ტ." ფართოდ გამოიყენება სიმეტრიული აფინორის სინონიმად, ე. ი. იმ წრფივი Φ ოპერატორის სინონიმად, რ-იც $\boldsymbol{x}$ ვექტორს გარდაქმნის $\Phi\boldsymbol{x}$ ვექტორად და რ-იც იმ აზრითაა სიმეტრიული, რომ სკალარული ნამრავლი $\boldsymbol{y}\Phi\boldsymbol{x}$ არ იცვლება $\boldsymbol{x}$ და $\boldsymbol{y}$ ვექტორების გადანაცვლებით. აქ ტერმ. „ტ." თავიდან დაკავშირებული იყო დრეკადი დეფორმაციის შედეგად წარმოშობილ მცირე დაჭიმვებსა და შეკუმშვებთან, შემდგომ კი მექან. სხვა დარგებშიც ვრცელდა. ასე გაჩნდა დეფორმაციის ტ., დაძაბულობის ტ., ინერციის ტ. და სხ.

ტენზორული ალრიცხვა, მათემატიკური თეორია, რ-იც შეისწავლის განსაკუთრებული სახის სიდიდეებს — *ტენზორებს*, მათ თვისებებს და მათზე მოქმედების წესებს. ტ. ა. *ვექტორული ალრიცხვისა* და *მატრიცების* თეორიის განვითარება და განზოგადებაა.

მრავალი ფიზ. და გეომ. ფაქტის აღწერისათვის ჩვეულებრივ ვიმოაქვთ ესა თუ ის საკოორდინატო სისტემა, რაც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ობიექტი აიწეროს ერთი ან რამდენიმე რიცხვის საშუალებით, ხოლო მათ შორის თანაფარდობანი — ტოლობებით, რებიც აკავშირებენ ამ რიცხვებს ან რიცხვთა სისტემებს. ზოგიერთი სიდიდე, რ-ესაც *სკალარებს* (მასა, ტემპ-რა და ა. შ.) უწოდებენ, აიწერება ერთი რიცხვით, ამასთან ამ სიდიდეების მნიშვნელობები არ იცვლება ერთი საკოორდინატო სისტემიდან მეორე სისტემაზე გადასვლისას. სხვა სიდიდეები — ვექტორული (ძალა, სიჩქარე და ა. შ.) აიწერება სამი რიცხვით (*ვექტორის* კომპონენტებით), ამასთან რთი საკოორდინატო სისტემიდან მეორეზე გადასვლისას ვექტორის კომპონენტებ გარდაიქმნება გარკვეული კანონით.

სკალარულ და ვექტორულ სიდიდეებთან ერთად ფიზიკასა და გეომეტრიაში გვხვდება უფრო რთულიაგებულების სიდიდეები — ტენზორები, რ-ებიც თითოეულ საკოორდინატო სისტემაში აღიწერებიან რამდენიმე რიცხვით (ტენზორის კომპონენტებით), ამასთან რთი საკოორდინატო სისტემიდან მეორეზე გადასვლის კანონი უფრო რთულიაგიდრე ვექტორებისათვის (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

1. **ტენზორები მარკუთხა კოორდინატთა სისტემაში.** სიდიდეებს, რ-ებიც მოცემული არიან ყოველ მართკუთხა კოორდინატთა სისტემის განზომილებიან სივრცეში 3^n რიცხვით $p_{i_1\cdots i_k}$ ($i_s=1, 2, 3$), და (x_1, x_2, x_3) კოორდინატთა სისტემის (x'_1, x'_2, x'_3) სისტემით შეცვლისას იცვლებიან $p'_{j_1\cdots j_k}$ რიცხვებით შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$p'_{j_1\cdots j_k}=\alpha^{i_1}_{j_1}\alpha^{i_2}_{j_2}\cdots\alpha^{i_k}_{j_k}p_{i_1\cdots i_k}, \quad (1)$$

სადაც $\alpha^i_j=\cos(x_j, x'_i)$, უწოდებენ ტენზორულ სიდიდეებს, ხოლო მათ განმსაზღვრელ რიცხვთა სისტემებს — ტენზორებს მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში (ზოგჯერ თვით ტენზორულ სიდიდეებსაც ტენზორებს უწოდებენ). k რიცხვს ეწოდება ტენზორის ვალენტობა (რანგი); $p_{i_1\cdots i_k}$ რიცხვებს — მისი კომპონენტები (კოორდინატები). ანალოგიურად განიმარტება ტენზორები ნებისმიერგანზომილებიან სივრცეში.

2. **მეორე ვალენტობის ტენზორები.** პირველი ვალენტობის ტენზორების (ვექტორების) გარდა გვხვდება მეორე ვალენტობის ტენზორებიც. თუ $p_{ij}=p_{ji}$, მაშინ ტენზორს ეწოდება სიმეტრიული, ხოლო თუ $p_{ij}=-p_{ji}$ — ირიბსიმეტრიული (ანტისიმეტრიული). სიმეტრიულ ტენზორს აქვს ექვსი არსებითი კომპონენტი, ხოლო ირიბსიმეტრიულს — სამი: $\omega_1=p_{32}=-p_{23}$; $\omega_2=p_{13}=-p_{31}$; $\omega_3=p_{21}=-p_{12}$ ($p_{11}=p_{22}=p_{33}=0$). ამასთან, $\omega_1, \omega_2, \omega_3$ კომპონენტები ფსევდოვექტორის კომპონენტების მსგავსად გარდაიქმნებიან (იხ. *ლერძული ვექტორი*). ყოველი ტენზორი ერთადერთი გზით წარმოიდგინება სიმეტრიული და ირიბსიმეტრიული ტენზორების ჯამის სახით.

3. **ტენზორები აფინურ კოორდინატებში.** ბევრი ამოცანის ამოსახსნელად საჭიროა განვიხილოთ ტენზორული სიდიდეები აფინურ კოორდინატებში (ირიბკუთხა კოორდინატებში სხვადასხვა ღერძზე სიგრძის სხვადასხვა ერთეულით). კოორდინატთა ერთი აფინური სისტემის მეორის მიმართ მდებარეობა შეიძლება აღვწეროთ რიცხვთა ორი სხვადასხვა სისტემით: A^i_j რიცხვებით, რ-ებიც ახ. ბაზისის $\boldsymbol{e}'_j$ ვექტორების კომპონენტებია ძველი ბაზისის $\boldsymbol{e}_i$ ვექტორების მიმართ, და B^j_i რიცხვებით, რ-ებიც $\boldsymbol{e}_i$ ვექტორების კომპონენტების ტოლია $\boldsymbol{e}'_j$ ბაზისის მიმართ. ამის შესაბამისად ტენზორები სხვადასხვა სახისაა: ზოგიერთი მათგანის გარდაქმნის კანონებში შედის A^i_j რიცხვები, კოვარიანტული ტენზორები, ხოლო სხვათა გარდაქმნის კანონებში — B^j_i რიცხვები, კონტრავარიანტული ტენზორები. არიან ისეთი ტენზორები, რ-თა გარდაქმნის კანონებში შედის როგორც A^i_j ასევე B^j_i რიცხვები (შერული ტენზორები).

4. **მოქმედებანი ტენზორებზე.**

ა). ტენზორების შეკრება. ორი ერთნაირი აგებულების მქონე (ანუ ზედა და ქვედა ინდექსების ერთი და იმავე რიცხვის მქონე) ტენზორის t^{ab}_{cde} და q^{ab}_{cde} ჯამი ეწოდება ტენზორს, რ-ის კომპონენტებია: $r^{ab}_{cde}=t^{ab}_{cde}+q^{ab}_{cde}$.

ბ). ტენზორების გამრავლება. ორი (შესაძლოა სხვადასხვა აგებულების მქონე) ტენზორის t^{a}_{bc} და q^{de}_{fgh} ნამრავლი ეწოდება ტენზორს, რ-ის კომპონენტებია $r^{ade}_{bcfgh}=t^{a}_{bc}\,q^{de}_{fgh}$. ტენზორების ნამრავლი დამოკიდებულია თანამამრავლთა თანამიმდევრობაზე.

გ). ტენზორის შეგრაგნა (შეკვრა). t^{ab}_{cde} ტენზორის a და d (ზედა და ქვედა) ინდექსებით შეგრაგნის შედეგი ეწოდება t^{b}_{ce} ტენზორს, რ-ის კომპონენტები ტოლია $t^{b}_{ce}=t^{ib}_{cie}$ (აქ ხდება i ინდექსით შეჯამება).

დ). ინდექსთა გადანაცვლება. დავუშვათ, რომ q^{ab}_{cde} ტენზორის კომპონენტები გამოისახება t^{ab}_{cde} ტენზორის კომპონენტებით $q^{ab}_{cde}=t^{ab}_{edc}$ ფორმულით. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ q^{ab}_{cde} მიიღება t^{ab}_{cde}-გან c და e ინდექსების გადანაცვლებით.


5. **ტენზორული ანალიზი.** გამოყენებებში ჩვეულებრივ გვხვდება არა ცალკეული ტენზორები, არამედ ტენზორული ველები. მაგ., დრეკადი დეფორმაციის განხილვისას განიხილავენ დეფორმაციისა და დაძაბულობის ტენზორებს ყველა წერტილში. თუ სივრცეში მოცემულია მართკუთხა საკოორდინატო სისტემა, მაშინ ტენზორული ველი $T(p)$ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთობლიობა $t_{i_1}\cdots i_k(x^1, x^2, x^3)$ ფუნქციებისა, რ-ებიც მოცემული არის ყოველ $p(x^1, x^2, x^3)$ წერტილში და რ-ებიც ერთი მართკუთხოვანი საკოორდინატო სისტემიდან მეორეზე გადასვლისას გარდაიქმნებიან (1) სახის ფორმულებით.

ტ. ა-ს თანამედროვე სახე მისცა იტალ. მათემატიკოსმა გ. რიჩი-კურბასტრომ, ამიტომ მას ზოგჯერ რიჩი-კურბასტროს აღრიცხვას უწოდებენ. თავდაპირველად რიჩი-კურბასტროს იდეები ფართოდ ვერ გავრცელდა. ფარდობითობის ზოგადი თეორიის შექმნის შემდეგ ამ იდეებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, ვინაიდან ამ თეორიის მათ. აპარატი მთლიანად ტ. ა-ზეა დაფუძნებული.


ტ. ა-ს ფართოდ იყენებენ დიფერენც. გეომეტრიაში, ფარდობითობის თეორიაში და სხვ.

ლიტ.: Кочин Н. Е., Векторное исчисление и начала тензорного исчисления, 9 изд., М., 1965; Рашевский П. К., Риманова геометрия и тензорный анализ, 3 изд., М., 1967.


ტენი (Taine) იპოლიტ ადოლფ (21. IV. 1828, ვუზიე, არდენები, — 5. III. 1893, პარიზი), ფრანგი ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი, მწერალი, ისტორიკოსი. საფრ. აკად. წევრი 1878-იდან. 1848—51 სწავლობდა პარიზის უმაღლეს ნორმალურ სკოლაში. 1853 დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ესეი ლაფონტენის იგავებზე". ისტ. ნაშრომში „ესეი ტიტუს ლივიუსზე" (1856) აკად. პრემია მიიღო. 1866-იდან ესთეტ. პროფესორი იყო ნატიფი ხელოვნ. სკოლაში. ტ. მიჩნეულია ნატურალიზმის ესთეტ. თეორიისა და კულტ.-ისტ. სკოლის ფუძემდებლად. ამ ბრწყინვალე ესეისტის, ისტორიკოსის, პროზაიკოსისა და სოციოლოგის მრავალმხრივი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ნარკვევების წიგნი „მოგზაურობა პირენეზე" (1855), „მოგზაურობა იტალიაში" (ტ. 1—2, 1866), მეცნ. გამოკვლევა „კრიტიკული და ისტორიული ესეები" (1858, უკანასკნელი ესეი — 1892), ეტიუდები ბალზაკის, სტენდალისა და სხვ. შესახებ, „ინგლისური ლიტერატურის ისტორია" (1863),



ტენზოგადამწოდი. ნახ. 3. ორი ტენზორეზისტორის ბოვურ წრედში ჩართვის სქემა: $R_1+\Delta R_1(\varepsilon)+\Delta R_1(\Theta)$ და $R_2-\Delta R_2(\varepsilon)+\Delta R_2(\Theta)$ — ტენზორეზისტორების წინაღობები [$\Delta R(\varepsilon)$ და $\Delta R(\Theta)$ — ტენზორეზისტორების წინაღობათა ცვლილებანი დეფორმაციისა (ε) და ტემპერატურის (Θ) ცვლილებაზე დამოკიდებულებით]; R_3, R_4 — ჩვეულებრივი რეზისტორების წინაღობები; i — დენი ბოგას დიაგონალში; U — კვების წყარო (მუდმივი დენისა); Y — მაძლიერებელი; P — გაზომვის შედეგის მარეგისტრირებელი მოწყობილობა.



ტენზომეტრი. მექანიკური ტენზომეტრის სქემა: 1 — სკალა; 2 — რგოლი; 3 — ისარი; 4 — პრიზმა; 5 — გასაჭიმი დეტალი.



ი. ტენი.



ე. ტენისონი.

„ხელოვნების ფილოსოფია“ (ნაწილ-ნაწილ 1865–69, ერთად — 1882), „გონების შესახებ“ (ტ. 1–2, 1870), სატირული მოთხრობა „პარიზული ზნეობანი. ფრედერიკ-ტომა გრენდორჟის ცხოვრება და შეხედულებები“ (1867), დაუმთავრებელი რომანი „ეტიენ მეირანი“ (1910) და სხვ. 70-იან წლებში ტ. ზომიერ-ლიბერ. პოზიციებზე იდგა. პარიზის კომუნას მტრულად შეხვდა. მისი მთავარი ისტ. შრომა „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა“ (ტ. 1–6, 1875–93) ფაქტობრივად იაკობინელებისა და მათი დიქტატურის წინააღმდეგ მიმართული პამფლეტი იყო. ტ. მიჩნეულია ხელოვნ. სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი „გარემოს თეორია“ აერთიანებდა დიდროს, მონტესკიესა და ო. კონტის იდეებს და გამიზნული იყო კულტ. და საზ-ბის კონკრ. მოვლენების საზ-ბის განვითარების საერთო კანონზომიერებასთან დამაკავშირებელ მეთოდად. იგი ეკლექტიკურად აერთიანებდა გეოგრ. გარემოს, ჰავასა და ერის ბუნებას, რ-იც ისტ. განვითარების გასაღებად მიაჩნდა. აქვეითებდა ხელოვნ. და საერთოდ პიროვნების აქტივობის მნიშვნელობას. გეოგრ. გარემოსთან ხელოვნების კავშირი ესმოდა მექანისტურად, თუმცა ცდილობდა ხაზგასმით აღენიშნა ერის ბედზე მსოფლმხედველობის უკუზეგავლენაც (მაგ., ბუდიზმისა ინდ. ისტორიაზე).

თხზ.: История эстетики. Памятники мировой эстетической мысли, т. 3, М., 1967; Об уме и познании, т. 1–2, СПб., 1872; Происхождение современной Франции, т. 1–5, СПб., 1907; Французская философия первой половины XIX в., СПб., 1886.

ლიტ.: ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ხელოვნების თეორია. მონისტური ესთეტიკის საფუძვლები, ნაწ. 1, ტფ., 1928; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., ხელოვნება და სინამდვილე, ტ. 1, თბ., 1955; П л е х а н о в Г. В., Литература и эстетика, т. 1–2, М., 1958.

ტენი, თ ე ნ ი (thegn, thane; ლათ. ტერმინოლოგიაში—miles, minister), მსახურეული წარჩინებული ანგლოსაქსურ ინგლისში, მეფის რაზმეულის წევრი. ტ-ები მიწის ნაკვეთს რაინდული სამხ. სამსახურისათვის იღებდნენ. თუ სამფლობელო 3 თაობის განმავლობაში ტ-ს ეკუთვნოდა, იგი მემკვიდრეობითი რაინდის უფლებას იღებდა.

შოტლანდიაში გვაროვნ. მემკვიდრეობითი არისტოკრატიის აღმნიშვნელი ტერმინი XV ს-მდე „თანი“ იყო.

ტენიანობა, წყლის შემცველობა ფიზიკურ სხეულებში. ტ. დამოკიდებულია გარემოს ფარდობითს ტ-ზე, ნივთიერების გვარობაზე, ხოლო მყარ სხეულებში — მის დაქუცმაცებულობაზეც და ფორიანობის ხარისხზეც. უფრო ზუსტად სხეულის გარე და შიგა ზედაპირების საერთო ზომებზე. ქიმიურად ბმული, ე. წ. კონსტ. წყლის (მხოლოდ ქიმ. დაშლის დროს გამოყოფილი წყლის), აგრეთვე კრისტალოჰიდრატული წყლის შემცველობა ტ-ის ცნებაში არ შედის. ტ-ს ახასიათებენ ტენშემცველობით — წყლის რაოდენობით, რ-იც მოდის მასალის მშრალი ნაწილის ერთეულ მასაზე, და ფარდობითი ტ-ით — სითხის შემცველობით, რ-იც მოდის ტენიანი მასალის ერთეულ მასაზე. მრავალი პროდუქტის, მასალისა და სხვ. ტ-ის ხარისხის დადგენას დიდი სახ.-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ბევრი სხეული (მარცვალი, ცემენტი და სხვ.) იმ მიზნისათვის, რ-ისთვისაც იგი განკუთვნილია, ვარგისია მხოლოდ განსაზღვრული ტ-ის დროს. ცხოველებისა და მცენარეული ორგანიზმების ცხოველმოქმედება შესაძლებელია მხოლოდ გარემომცველი ატმოსფეროს ტ-ისა და აბსოლ. ტ-ის გარკვეულ საზღვრებში. იხ. აგრეთვე *ჰაერის ტენიანობა, წყალი.*

ტენიზოლაცია, შენობა-ნაგებობათა მიწისზედა კონსტრუქციების დაცვა მეტისმეტი დატენიანებისაგან, აგრეთვე ამ მიზნით გამოსაყენებელი საშუალებანი. შენობა-ნაგებობათა მიწისქვეშა ნაწილების გრუნტის წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის შესახებ იხ. სტატიაში *ჰიდროიზოლაცია.* ტ-თვის ჩვეულებრივ იყენებენ *ჰიდროიზოლაციო მასალას.* ზოგჯერ კი ტ-ს აწყობენ სადრენაჟო შრეების, ჰაერის შუა შრეების სახით. გარე შემომზღუდი კონსტრუქციების შიგა ჰაერის დატენიანების ხარისხის შესაზღუდად ტენშეუღწევი მასალით ფარავენ სათავისაკენ მიმართულ ზედაპირს ან ქმნიან შუასადებს კონსტრუქციის შიგა ნაწილში შეძლებისამებრ ახლოს ამავე ზედაპირთან. ტ-ად იყენებენ მკვრივ ბათქაშს, ტენშეუღწევ საღებავს, სპეც. ცემენტის ხსნარს, შესამოს ფილებს, რულონურ წყალშეუღწევ მასალასა და სხვ. იმ შენობებში, სადაც შიგა ჰაერს მაღალი ფარდობითი ტენიანობა აქვს, ისეთი ტ-ებია გამოყენებული, რ-ებიც უზრუნველყოფენ სათავისაკენ მიმართულ კონსტრ. ზედაპირზე ტენის კონდენსაციით გამოწვეული დანამვის აცილებას. შენობათა შემომზღუდ კონსტრუქციებში ყველაზე ეფექტური ტ., რ-იც დაიცავს ზედაპირს ტენის დიფუზიისაგან, საჭიროა რულონისებურულიანი გადახურვის შიგა ნაწილებისა და ფორიანი მასალით შიგნიდან დათბუნებული კედლებისათვის. შენობის კედლები რომ ატმ. ტენით არ დაინამოს, ფასადებს ლებავენ წყალშეუღწევი შედგენილობით, უკეთებენ აგრეთვე სპეც. სამოსს. შენობის (ნაგებობის) კედლების მსხვილი ელემენტების პირაპირებისა და შეერთებების წყალშეუღწევობას უზრუნველყოფს წყალსარინი მოწყობილობა (გადასაშვები, საცვრე და ა. შ.), ტენსაიზოლაციო შუასადებები, ვარდნილებიანი ჰორიზ. პირაპირები და სადრენაჟო არხები.

ტენიიდოზი, ადამიანისა და ცხოველის *ჰელმინთოზი,* რ-იც აერთიანებს ორ დაავადებას — ტენიოზს და ტენიარინქოზს. ტ ე ნ ი ო ზ ი ს გამომწვევია ღორის ლენტურა (Taenia solium), რ-ის სიგრძე 2 *მ* აღწევს, შედგება თავის, კისრისა და პროგლოდიტებისაგან. ლენტურას მატლები — ცისტიცერკები (ფინები) პარაზიტობენ ღორის კუნთებსა და სხვა ქსოვილებში, ადამიანი ავადდება ღორის ფინებიანი, თერმულად ცუდად დამუშავებული ხორცის ჭამის შედეგად. კუჭ-ნაწლავებში მოხვედრისას ფინები კაპილარებიდან შეაღწევენ სისხლში, აქედან კი ხვდებიან სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში და იწვევენ *ცისტიცერკოზს.* ტენიოზის დროს დამახასიათებელია უმადობა, გულისრევა, პირღებინება, მუცლის ტკივილი, ფაღარათი ან შეკრულობა, უძილობა, თავბრუ, ხანმოკლე, ეპილეფსიის მსგავსი გულყრა და სხვ. გავრცელებულია ყველგან, სადაც მეღორეობას მისდევენ; ერთეული შემთხვევები საქართველოშიც გეხვდება. ტ ე ნ ი ა რ ი ნ ქ ო ზ ს იწვევს ხარის ლენტურა (Taeniarhynchus saginatus), რ-ის სიგრძე 6–7 *მ* აღწევს. პარაზიტობს მსხვ. რქ. საქონლის ორგანიზმში. ადამიანი ავადდება ისევე, როგორც ტენიოზით. ამ შემთხვევაშიც აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნერვული მოშლილობანი; ცისტიცერკოზი არ ვითარდება. ტენიარინქოზი უმეტესად გავრცელებულია შუა აზიის რესპუბლიკებში. გეხვდება ამიერკავკასიაში, საქართველოში — აღმ. ნაწილის სამხრ. რ-ნებში. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ფენასალი (ყველაზე ეფექტურია), ფილაქსინი, დიქლოსილი (ადამიანი ტ-გან განკურნებულად ითვლება, როცა ლენტურა თავიანად გამოვა); ცისტიცერკოზის დროს საჭიროა ქირურგ. ჩარევა. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: საკვებად თერმულად კარგად დამუშავებული ხორცის ხმარება; ხორცზე ვეტ.-სანიტ. მეთვალყურეობა და სხვ. *ი. თოფურია.*

ტენიოზი ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა, ჰელმინთოზი, რ-საც იწვევს ტენიას (taenia) გვარის 40-ზე მეტი სახეობის მსხვილი ცესტოდა. ტენიები ლენტისებრ სტადიაში პარაზიტობენ გარეულ ძუძუმწოვართა ნაწლავებში, რაც იწვევს ნაწლავის მოტორული, სეკრეტორული და შეშწოვი ფუნქციების მოშლას. შუალედი მასპინძლები არიან მღრღნელები და მცოხნავები. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ცესტოდების საწინააღმდეგო პრეპარატები, ფენასალი. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: შუალედი მასპინძლების შეჭმის თავიდან აცილება, შინაურ და ბეწვიან ხორციჭამიათა სისტემ. დეპელმინთიზაცია ტენიოზის მხრივ საეჭვო მეურნეობაში. *ი. სადათერაშვილი.*

ტენირსი (Teniers) დავიდ უმცროსი (მოინათლა 15. XII. 1610, ანტვერპენი,— 25. IV. 1690, ბრიუსელი), ფლამანდელი ფერმწერი. სწავლობდა მამასთან — დავიდ ტენირსთან (უფროსი). 1651 გადასახლდა ბრიუსელში, სადაც გახდა სასახლის კარის მხატვარი და ერცჰერცოგის ლეოპოლდ ვილჰელმის სურათების გალერეის დირექტორი. ანტვერპენის სამხატვრო აკად. დაარსების (1665) ინიციატორი. ტ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნათელი, ვერცხლისფერი ტონალობა, დახვეწილი, ზოგჯერ მანერული ფერწერა, შუქისა და ჰაერის ფაქიზი დამუშავება („მთის პეიზაჟი“, 1640, ერმიტაჟი, ლენინგრადი). განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი ასახავდა გლეხთა ცხოვრებას („სოფლის დღესასწაული“, 1646; „გლეხური ქორწილი“, 1652, ორივე ერმიტაჟი, ლენინგრადი).

ტენისონი (Tennyson) ელფრიდ (6. VIII. 1809, სომერსბი, ლინკოლნშირი,— 6. X. 1892, ოლდუორთი, სარი), ინგლისელი პოეტი. 1850 მიიღო პოეტ-ლაურეატის წოდება, 1884 — ბარონის ტიტული. პირველი კრებ. „ორი ძმის ლექსები“ 1827 გამოაქვეყნა თავის ძმასთან ჩარლზ ტენისონთან ერთად. მისი ლირ. კრებულებიდან აღსანიშნავია „უმთავრესად ლირიკული ლექსები“ (1830), „ლექსები“ (1833), „ლექსები“ (ტ. 1–2, 1842); ეკუთვნის პოემები „პრინცესა“ (1847), „ხსოვნა“ (1850), „ინოკ არდენი“ (1864). პოემების ციკლი „მეფის იდილიები“ (1859) დაფუძნებულია მეფე ართურისა და ე. წ. მრგვალი მაგიდის რაინდების თქმულებაზე. ავტორია დრამებისა „დედოფალი მერი“ (1875), „ჰეროლდი“ (1876), „ბეკეტი“ (1879) და სხვ. ტ-ის პოეზია მკვეთრად სანტიმენტალურია, გამოირჩევა მუსიკალობით.

ლიტ.: История английской литературы, т. 2, в. 2, М., 1955.

ტენორი (იტალ. tenore), 1. მამაკაცის მაღალი ხმა. დიაპაზონი დო^{1}-ლა^{2}. არსებობს ლირ. და დრამ. ტ. ლირ. ტ-თვის დამახასიათებელია ხავერდოვანი ტემბრი, მღერადი მელოდიის გადმოცემის უნარი და მოქნილობა. დრამ. ტ. გამოირჩევა ძლიერი ხმოვანებით ყველა დიაპაზონში. განარჩევენ აგრეთვე ლირიკულ-დრამატულსა და ალტინოს ტ-ს (აღწევს მი^{3}-მდე). 2. სასულე მუს. საკრავი, სასულე ორკესტრის შემადგენელი ნაწილი. 3. შუა საუკუნეებში (XII ს-იდან) კონტრაპუნქტული თხზულების ძირითადი ხმა (პარტია), რ-იც გადმოგვცემს მთავარ მელოდიას. თავდაპირველად ტ. ქვედა ხმა იყო. ბანთან შეერთებამ იგი პოლიფონიური ნაწარმოების შუა ხმად აქცია.

ტენოჩტიტლანი (Tenochtitlan), აცტეკების სახელმწიფოს დედაქალაქი. ლეგენდის თანახმად, 1325 დაუარსებიათ, გაშენებული იყო ტესკოკოს ტბის დას. ნაწილში მდებარე კ-ზე (ეკავა 7,5 *კმ*^{2} ფართ.). ქალაქს არხები სერავდა და მატერიკს 3 ჯებირითა და ასაწევი ხიდებით უკავშირდებოდა. ტ-ს რეგულარული დაგეგმარება ედო საფუძვლად და 4 რ-ნად (კუპოპანი, ტეოპანი, მოიოტლანი და ასტაკალკო), ხოლო თითოეული რ-ნი 5 კვარტალად იყო დაყოფილი. ტ-ის ცენტრში განლაგებული იყო მონუმ. ტაძრები

(მთავარი ტაძარი 30 *მ* სიმაღლისა იყო) და დიდკაცობის სასახლეები. ქალაქის ცალკეულ უბნებში, მაგალითად, ამანტლანში, ხელოსნები ცხოვრობდნენ. 1521 ესპანელებმა მთლიანად დაანგრიეს ტ. და მის ნანგრევებზე ქ. მეხიკო დააარსეს.

ტენსაზომი, აირის, სითხისა და მყარი სხეულის ტენიანობის საზომი ხელსაწყო. ა ე რ ი ს ტენიანობას ჩვეულებრივ განსაზღვრავენ *ჰიგრომეტრითა* და *ფსიქრომეტრით*. ჰიგროსკოპულ ელექტრონიმ. ტ-ში ა ი რ ი ს ტენიანობას განსაზღვრავენ ტ-ის ბალონში ჩასხმული ელექტროლიტის თვისებათა ცვლილების მიხედვით. ს ი თ ხ ი ს ტენიანობის (ე. ი. სითხეში წყლის მინარევის შემცველობის) გასაზომად იყენებენ ტევადობით, კონდუქტომეტრულ, ჰიგროსკოპულ და ელექტრონიმ. ტ-ებს, მ ყ ა რ ი ს ხ ე უ ლ ი ს ტენიანობის გასაზომად კი — ტევადობითსა და კონდუქტომეტრულ ტ-ს. ტენიანობას განსაზღვრავენ აგრეთვე წყლის შედგენილობაში შემავალ წყალბადის ბირთვების მიერ რადიოტალღების რ ე ზ ო ნ ა ნ ს უ ლ ი შთანთქმის მიხედვით. რადიოსპექტროსკოპული ტ. მუშაობს ბირთვული გამოსხივების ურთიერთქმედების პროცესთა რაოდენობრივი მახასიათებლების, წყალბადისა და სხვა ელემენტების ატომთა ურთიერთშედარების პრინციპით. ყველაზე გავრცელებული ტ-ის მოქმედება ემყარება γ-სხივების ნაკადის შესუსტებასა და სწრაფი ნეიტრონების შენელებას.

ტენსონა, ტ ე ნ ც ო ნ ა (პროვანსული tenso, ფრანგ. tenson, იტალ. tenzone < ხალხ. ლათ. tentio — ბრძოლა, შებმა, კამათი), რომანული პოეზიის ჟანრი შუა საუკუნეებში. ტ-ის კლასიკურ ნიმუშებში (XI—XII სს.) ორი პოეტი რიგ-რიგობით თხზავდა სტროფებს (coplas), რ-თა ერთიანობა ფორმის მიხედვით შეესატყვისებოდა *კანცონას*. მათთვის არ არსებობდა სტილისტიკური კანონები, იყენებდნენ სალაპარაკო ენას, ჟარგონებს. XII ს. ბოლოს გავრცელდა ტ-ის ნაირსახეობა— ჟოკ პარტიტი (joc partit).

ტენტაკულიტები (Tentaculita), ამომწყდარი ზღვის მოლუსკების კლასი. ცხოვრობდნენ სილურულ და დევონურ პერიოდებში. ჰქონდათ 3—7 *სმ* სიგრძის, კონუსისებრი, გლუვი ან სკულპტურირებული ნიჟარა, რ-ის ღრუ განივი ტიხრებით დაყოფილი იყო კამერებად. ყველაზე დიდ, წინა კამერაში მოლუსკის სხეული იყო. ტ-ს მნიშვნელობა აქვთ დევონური პერიოდის ნალექების სტრატიგრაფიისათვის.

ტენცინგი ნორგეი (დ. V. 1914, სოფ. ცაჩუ, სოლოქუმბუს ხეობა, ნეპალი), მთამსვლელი. ეროვნებით შერპა. ინდ. მოქალაქე. მუშაობდა მეგზურად, ტვირთმზიდავად, სირდარად (ტვირთმზიდავების ჯგუფის უფროსი) ბევრ ალპინისტურ და კვლევით ექსპედიციაში, სამთო მომზადების ინსტრუქტორად. მონაწილეობდა *ჯომოლუნგმაზე* 6 ასვლაში. 1938 ტვირთით 8290 *მ*-მდე ასვლისათვის ალპინისტურმა პიმალაის კლუბმა ტ-ს „ვეფხვის" წოდება მიანიჭა. 1953 წ. 29 მაისს ე. *ჰილარისთან* ერთად პირველი ავიდა ჯომოლუნგმაზე. 1954-იდან ალპინიზმის პიმალაის ინ-ტის საველე მომზადების დირექტორია, 1955-იდან — შერპა ალპინისტების ასოციაციის თავ-რე. 1963 იმოგზაურა სსრკ-ში, ავიდა იალბუზზე, ეწვია საქართვ. ალპურ კლუბს. უცხოელი სპორტსმენებიდან პირველი დაჯილდოვდა საბჭ. მედლით „დიდი სპორტული მიღწევისათვის".

ლიტ.: მყინვართა ვეფხვი. თენსინგის ავტობიოგრაფია. ჩაწერილი მისივე ნაამბობის მიხედვით ჯეიმს რამზაი ულმანის მიერ, თბ., 1962 (მე-2 გამოც. 1978).

ტეოტიუაკანი (Teotihuacán), ქალაქი ძვ. მექსიკაში, ადრინდ. კლასობრივი საზ-ბის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი მეხიკოს ხეობაში (ახლანდ. მეხიკოს შტ. ტერიტ.). როგორც ჩანს, აღმოცენდა ძვ. წ. II ს-ში. ტ-ის კულტურამ ახ. წ. III—IV სს-ში ზეგავლენა იქონია მექსიკისა და გვატემალის ძვ. ხალხების კულტურაზე. ახ. წ. VII ს. შუა ხანებში ჩრდ-იდან შემოსეულმა ტომებმა ტ. დაანგრიეს. ნანგრევებს უჭირავს 15 *კმ*². „მიცვალებულთა გზის" მახლობლად განლაგებულია „მთვარის პირამიდის", „მიწათმოქმედების ტაძრის", „ტლალოკის ტაძრის", „სიუდადელის" — („კეცალკოატლის ტაძარი") ნანგრევები. ტ. არქეოლ. მუზეუმია. ხეობაშია სან-აგუსტინის მონასტერი (1539—60, „პლატერესკოს" სტილის ნიშნები).



ტეოტიუაკანი. „კეცალკოატლის ტაძარი". ფასადის დეტალი. V—VI სს.

ტეპლიცე (Teplice), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში, ჩრდ. ჩეხიის ოლქში. 54 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო კვანძი. მანქანათსაშ., მინა-კერამ., საფეიქრო, სამკერვალო, ქიმ., კვების მრეწველობა. ბალნეოლ. კურორტი. ტ-ს რ-ნში იღებენ მურა ნახშირსა და პოლიმეტალებს.

ტეპტიარები, XVIII ს.—XX ს. დასწყისში ბაშკირებს შორის მცხოვრები არაბაშკირი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სახელწოდება. ტ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ თათრები, მიშარები, უდმურტები, მარიელები, მორდველები. მათ შეინარჩუნეს საკუთარი ენა და კულტურული თავისებურებანი. წყაროებში იხსენიებიან XVII ს. I ნახევარში. ტ. ბაშკირთა მიწაზე გადმოსახლდნენ ძირითადად შუა ვოლგისპირეთიდან. ტერმ. „ტ." თანამედროვე ლიტ-რაში აღარ იხმარება.

ტერა... (<ბერძნ. teras — ურჩხული), თავსართი იმ ჯერადი ერთეულების სახელწოდებათა შესაქმნელად, რ-ებიც ოდენობით 10^{12} ამოსავალ ერთეულს უდრის. შემოკლებული აღნიშვნები: ქართ. ტ., საერთაშ. T, მაგ., 1 *ტომ* (ტერაომი) $=10^{12}$ *ომ*.

ტერაკოტა (იტალ. terra cotta<terra— მიწა, თიხა და cotta — გამომწვარი), მოუჭიქავი, გამომწვარი თიხისგან დამზადებული ფერადი კერამიკული ნაკეთობანი, რ-ებსაც მხატვრული და უტილიტარული დანიშნულება აქვთ (ჭურჭელი, ლარნაკები, ქანდაკება, სათამაშოები, მოსაპირკეთებელი ფილები და სხვ.). გავრცელებული იყო საზ-ბის განვითარების ყველა საფეხურზე. განსაკუთრებით — ანტ., შუა საუკ. აღორძინებისა და XVII—XIX სს. ხელოვნებაში. ტ-ს იყენებენ თანამედროვე ხელოვნებაშიც.

ტერამარების კულტურა (ლათ. terra— მიწა და marna — მერგელი), ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურა ჩრდ. იტალიის ტერიტორიაზე. შემორჩენილია გამაგრებული დასახლებების (ფართობი 1—2 *ჰა*) ნაშთების სახით. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მესაქონლეობასა და ნადირობას. კერამიკა ხელითაა ნაძერწი. ბრინჯაოს იარაღთან ერთად იყენებდნენ ქვის იარაღსაც. სელის თესლების, ტანსაცმლის ნაშთებისა და თითისტარების აღმოჩენა მოწმობს, რომ მოსახლეობამ იცოდა ქსოვა. სამარხეული ინვენტარის მიხედვით სოც. და ქონებრივი მკვეთრი უთანასწორობა არ შეიმჩნევა.

ტერანი (Terragni) ჯუზეპე (1. II. 1904, მედა, ლომბარდია, — 25. V. 1943, კომო), იტალიელი არქიტექტორი. ა. ლიბერასთან და სხვებთან ერთად დააარსა „შვიდთა ჯგუფი" (1926), რ-იც ხელს უწყობდა *რაციონალიზმის* გავრცელებას იტალიაში. თავის ნამუშევრებში (საცხოვრ. სახლი „ნოვოკომუმი", 1929, სახალხო სახლი, 1932, საბავშვო ბაღი, 1936 — ყველა კომოში), ცდილობდა ორგანულად დაეკავშირებინა შინაგანი სივრცე გარემოსთან — ერთმანეთს უხამებდა ყრუ კედლებსა და რკინაბეტონის შეუსვებელი კარკასებით შექმნილ აჟურულ სტრუქტურას, ვირტუოზულად იყენებდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ხუროთმოძღვრების ადგილ. ტრადიციებს (მცირე ეზო — *ატრიუმი*, როგორც არქიტ. კომპოზიციის ცენტრი).

ტერარიუმი (<ლათ. terra — მიწა), ხმელეთის წვრილი ცხოველების (უმეტესად ამფიბიებისა და ქვეწარმავლების) სამყოფად და მათზე დასაკვირვებლად განკუთვნილი სათავსი. ჩვეულებრივ, ტ-ს აწყობენ ყუთში, რ-საც მინის ან მავთულბადის კედლები აქვს, იატაკზე მოყრილია ქვიშა ან მიწა, ქვები, დარგულია ხავსი, აგრეთვე სხვა მცენარეები, დგას წყლიანი ჭურჭელი. ტ-ში ხელოვნური განათების გარდა აუცილებელია დღის (სასურველია მზის) სინათლე, მუდმივი ტემპ-რა, სინოტივე და სუფთა ჰაერი.

ზოგიერთი ტ-თვის შემორაგვავენ მიწის პატარა ნაკვეთს და ცხოველები ბუნებრივ პირობებში ჰყავთ.

ლიტ.: Гринберг В. Б., Сосновский И. П., **Краткое руководство по содержанию террариумных животных,** М., 1937. *ვ. გიორგიძე.*

ტერასა (ფრანგ. terrase < ლათ. terra — მიწა), 1. ჰორიზონტალური ან ოდნავ დახრილი მოედანი, რ-იც ფერდობზე საფეხურს ქმნის. ტ. არის ბუნებრივი და ხელოვნური. 2. სამი მხრიდან გახსნილი, გადახურული, სახლთან კარით დაკავშირებული მინაშენი. ფერდობზე განლაგებული ე. წ. ტერასული შენობების ნაწილები.

ტერასები (გეოლ., გეოგრ.), სხვადასხვა მიზეზით წარმოქმნილი ბუნებრივი საფეხურები მთის კალთებზე, ხეობის ფერდობებზე, ტბისა და ზღვის ნაპირებზე. განარჩევენ მდინარეულ, ტბიურ, ზღვიურსა და შერეული წარმოშობის ტ-ს. ხშირად ტ. იარუსებადაა განლაგებული, რაც მოწმობს მდინარის მოქმედებაში აკუმულაციური და ეროზიული ციკლების მონაცვლეობას. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოწვეული იყოს დედამიწის ქერქის არათანაბარი ტექტონ. ამიტომ, ჰავის ცვალებადობით, ზღვის დონის ევსტატიკური რყევით. ტ-ის ასაკი მათი სიმაღლებრივი მდებარეობის შესაბამისად იზრდება; ყველაზე ახალგაზრდაა მდინარის (ტბის, ზღვის) ნაპირთან მდებარე ტერასა. მთის კალთებზე და ხეობებში გვხვდება აგრეთვე დენუდაციური პროცესების შედეგად წარმოქმნილი ტ. ესენია: სტრუქტურული ტ., რ-ებიც განპირობებულია კალთების ამგები მკვრივი და დამყოლი ქანების შრეების მორიგეობით; მეწყრული ტ. — დაცურებული ქანების საფეხურებრივი ზედაპირები; სოლიფლუქციური ტ. და სხვ. ტ-ზე ხშირად გაშენებულია დასახლ. პუნქტები, სამრეწვ. ობიექტები, გაყვანილია გზები, არის სახნავი სავარგულები. *გ. დეფუდარიანი.*

ტერატოგენეზი (ბერძნ. teras, ნათ. ბრ. teratos — ურჩხული, მახინჯი და ...*გენეზი*), სხვადასხვაგვარი სიმახინჯის (მახინჯების) წარმოშობა როგორც არამემკვიდრული (წყვილადი ორგანოების, მაგ. თვალების, შერწყმა, ცალკეული ორგანოების განუვითარებლობა, ზედმეტად ან არასწორად განვითარება და სხვ.) ცვლილებების, ისე *მუტაციების* (განლეჩილი ზედა ტუჩი და სასა, მოკლეთითიანობა, ექვსთითიანობა, სასქესო სისტემის



ტერასები. მდინარეული ტერასის ტიპები: ა—ეროზიული; ბ—აკუმულაციური; გ—ცოკოლიანი (ეროზიულ-აკუმულაციური); 1 — ხეობის ძირითადი ფერდობი; 2—ტერასის ბაქანი; 3—ტერასის გბდე; 4—ტერასის კალთა; ა—ალუვიონი; ბ—მკვიდრი ქანები.

გ. ტერბორხი. ავტოპორტრეტი. სახელმწიფო მუზეუმი. ამსტერდამი. ფრაგმენტი.



ა. ტერულაძე.

განვითარების დარღვევა და სხვ.) შედეგად. ზოგი სიმახინჯე ექსპერიმენტულადაც არის მიღებული, რაც მათი წარმოშობის კანონზომიერებების ახსნას აადვილებს. ტ-ის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მედიცინისათვის, სისტემატიკისათვის. იხ. აგრეთვე *ტერატოლოგია*.

ტერატოლოგია (ბერძნ. teras, ნათ. ბრ. teratos — ურჩხული, მახინჯი, სიმახინჯე და ...ლოგია), მეცნიერება, რ-იც შეისწავლის *სიმახინჯეს*. ცხოველთა ტ. იკვლევს ორგანიზმის ნორმალური აგებულებიდან გადახრას, რაც უმთავრესად ჩანასახოვანი განვითარების დარღვევითაა განპირობებული.

ტ-ში ექსპერ. მეთოდის დანერგვის პირველი ცდა ეკუთვნის ე. *ჟოფრუა სენტ-ილერს*. სიმახინჯის ხელოვნურად წარმოქმნის მეთოდები განსაკუთრებით ფართოდ დაინერგა XX ს. I ნახევარში, როცა სწრაფად განვითარდა ექსპერ. ემბრიოლოგია. ამფიბიებისა და თევზების (უფრო გვიან ფრინველებისა და ძუძუმწოვრების) გაყოფის პროცესში მყოფ კვერცხუჯრედებზე მექან. ზემოქმედებით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სიმახინჯის, მაგ., თავისა და კუდის ბოლოებით შეზრდილი ორეულების წარმოქმნა (ვ. რუ, ჰ. *შპემანი*), ციკლოპია — ცალთვალობა, რ-იც დაკავშირებულია თავის ტვინის აგებულების დარღვევასთან (ჰ. შპემანი, დ. *ფილატოვი*) და სხვ. ექსპერ. სიმახინჯეს იწვევდნენ ავრეთვე გაყოფის პროცესში მყოფ კვერცხუჯრედზე მაღალი ან დაბალი ტემპ-რის მოქმედებით (ო. *ჰერტვიგი*), გამოსხივებით, გარემოს ქიმ. შედგენილობის შეცვლით (ჟ. ლები), ჩანასახის ნორმალური სუნთქვის დარღვევით. არსებობს მრავალი მონაცემი სხვადასხვა სამკურნალწამლო ნივთიერების (საძილე, ანტიბიოტიკების და სხვ.), ინსექტიციდების და სხვ. ტერატოგენული გავლენის შესახებ. ზოგიერთი სიმახინჯე მემკვიდრულია. ცნობილია ადამიანის დომინანტური (ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, კურდღლის ტუჩი, გაბლეჩილი სასა) და რეცესიული (ყრუმუნჯობა, ბრძყელტერფიანობა, სრული ალბინიზმი და სხვ.) სიმახინჯეები. *რ. ავალიანი*.

მცენარეთა ტ. იკვლევს განვითარების მემკვიდრულ და არამემკვიდრულ სიმახინჯეებს. ტერატოლოგიური მოვლენების მიზეზი შეიძლება იყოს ვირუსული დაავადება, ტკიპებით, მწერებით ან ნემატოდებით დაზიანება, მაიონიზებელი, ზრდის მასტიმულირებელი და სხვ. ქიმ. ნივთიერებათა ზემოქმედება, ტემპ-რისა და ფოტოპერიოდის ცვლა, ჰიბრიდიზაცია, პოლიპლოიდია, აპომიქსისი და სხვ. ტერატოლოგიური მოვლენები მცენარეებში ვლინდება ორგანოთა ზომებისა და ფორმის შეცვლით, მათი ფორმირების ტემპისა და ვადების გადახრით. ხშირია მცენარეთა და მათი ცალკეული ორგანოების გიგანტიზმი ან დაკნინება, ბუთხუზა ყვავილების განვითარება, *ფასციაცია*, „ქაჯის ცოცხები“ და სხვ.

ტერატოლოგიურ მოვლენათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა მორფოლ. ევოლუციის მიმართულებათა დასადგენად; გარდა ამისა, ტერატოლოგიურ მოვლენათა შესწავლით შეიძლება გამოვლინდეს მცენარეთა ბიოლ. პროდუქტიულობის ამაღლების გზები, დადგინდეს მწერებისა და მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვის საშუალებანი, ქიმ. პრეპარატების რაციონალური გამოყენების ხერხი სოფლისა და სატყეო მეურნეობაში; ტ. გვეხმარება ქიმ. ნაერთთა და ფიზ. მოვლენათა ზემოქმედების შესწავლაში, გარემოს სამრეწვ. დანაგვიანების განსაზღვრისას და სხვ. *ზ. ლეონიანიძე*.

ტერატომა (ბერძნ. teras, ნათ. ბრ. teratos — მახინჯი და ...*ომა*), ემბრიომა, დიზემბრიომა, ადამიანისა და ცხოველების სიმსივნე, რ-იც ვითარდება ქსოვილთა ემბრიონული განვითარების მოშლის შედეგად. უმეტესად გვხვდება ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ჩვეულებრივ ლოკალიზდება სასქესო უჯრედებში. როგორც წესი, შედგება მრავალი ქსოვილისაგან (შემაერთებელი, ეპითელიუმური, კუნთოვანი, ნერვული); შეიცავს აგრეთვე ამ ქსოვილთა დერივატებს (თმა, კბილები). ყველაზე რთული შენება და შედგენილობა აქვს ტ-ს, რ-იც შედგება ადრეული ბლასტომერების ან პირველადი სასქესო უჯრედებისაგან (ამ სახის ტ-გან შეიძლება განვითარდეს ორგანიზმის ნებისმიერი ქსოვილი). ემბრიოგენეზის უფრო გვიანდ. სტადიებზე განვითარებული ტ-გან შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ იმ ჩანასახოვანი ფურცლის ქსოვილები, რ-ისაგანაც განვითარდა ტ. მარტივი, შედარებით კეთილთვისებიანი ტ-გან განასხვავებენ ტერატობლასტომას — ემბრიონული ქსოვილისაგან განვითარებულ ავთვისებიან სიმსივნეს (დიფერენცირებისაკენ ტენდენციის გარეშე), აგრეთვე ტერატოიდს — განვითარების მანკს, რ-იც სიმსივნე არ არის, მაგრამ შეიძლება საფუძვლად დაედოს მის განვითარებას. ტ. შეიძლება გადაგვარდეს *კიბოდ* ან *სარკომად*.

ტერბიუმი (Terbium), Tb, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 65, ატ. მასა 158, 9254, $t_{დნ}$ 1356°C, $t_{დუღ}$ 3227°C, სიმკვრივე 8272 *კგ/მ*^{3}, რბილი მოვერცხლისფერი ბეიაით მიწათა ლითონი, მიეკუთვნება *ლანთანოიდებს*. ბუნებაში ტ. გვხვდება ერთი მდგრადი იზოტოპის ^{159}Tb სახით; აღმოაჩინა (1843) კ. მოსანდერმა. დედამიწის ქერქში ტ-ის შემცველობაა (მასის მიხედვით) $4{,}3\cdot10^{-4}$%. ტ-ის ჟანგვის რიცხვია +3. ჰაერზე იჟანგება, ოთახის ტემპ-რაზე რეაგირებს წყალთან, მარილმჟავასთან, H_2SO_4, HNO_3 და სხვ. ღებულობენ ფთორიდის ლითონთერმული აღდგენით.

ტერბორხი (Terborch, Ter Borch) გერარდ (დეკემბრის ბოლო—1617. ზვოლე, — 8. XII. 1681, დევენტერი), ჰოლანდიელი ფერმწერი. 1633—35 სწავლობდა ჰ. მოლეინთან ჰარლემში, სადაც განიცადა ფ. ჰალსის გავლენა. მუშაობდა ჰარლემში, ამსტერდამში, ზვოლეში (ან კამპენში, 1650—54), დევენტერში (1654-იდან). იმოგზაურა ლონდონში (1635), ესპანეთსა და იტალიაში (დაახლ. 1640—41), მიუნსტერში (ვესტფალია, 1646—48), საფრანგეთში. 1630—50-იან წლებში შექმნილი ყოფითი სურათებისათვის დამახასიათებელია შუქ-ჩრდილის რბილი მოდელირება („მლესავის ოჯახი“, ბერლინ-დალემის სურათების გალერეა); 1650—60-იან წლებში შექმნა მდიდარ მოქალაქეთა ცხოვრების ამსახველი სცენები, სადაც ფიგურებს (ხშირად ზურგიდან) გამოსახავდა მშვიდ პოზაში. ტ-ის საუკეთესო ნამუშევრები („მამობრივი შეგონება“, დაახლ. 1655, ბერლინ-დალემი) გამოირჩევა სახეთა მკაცრი დახვეწილობით, რამდენადმე ცივი, ფერადოვანი გამით. ტ. საინტერესო პორტრეტისტი იყო (მამაკაცის პორტრეტი, ეროვნ. გალერეა, ლონდონი).

ტერებენიოვები, რუსი მოქანდაკეები, მამა-შვილი. 1. ივანე ივანეს ძე [10 (21). V. 1780, პეტერბურგი,—16 (28). I. 1815, იქვე], მოქანდაკე და გრაფიკოსი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1785—1800) მ. კოზლოვსკისთან. მისი ნამუშევრები გამოირჩევა კომპოზ. სიცხადით (რელიეფები, მ. შ. „ფლოტის აღდგენა რუსეთში“ და სხვ. ლენინგრ. საადმირალოს ფასადზე; აღმ. ვესტიბიულის კიბეებზე ჰერაკლეს, ათენას, ჰერმესისა და აპოლონის ფიგურები, 1812—13, ყველა თაბაშირი). არის ოფორტების ავტორიც. 2. ალექსანდრე ივანეს ძე [9 (21). I. 1815, პეტერბურგი, 31. VII (12. VIII). 1859, იქვე]. გვიანდელი კლასიციზმის წარმომადგენელი, სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1824—36). მნიშვნელოვანი ნამუშევარია ლენინგრადში ახალი ემიტაჟის კარიბჭის 10 ატლანტის დიდი ფიგურა (გრანიტი, 1844—49).

ტერედო, გემის ჭია, ზღვის ორსაგდულიანი მოლუსკები. ჭიისმაგარი სხეული აქვს, წინა ნაწილი დავარულია ორსაგდულიანი პატარა ნიჟარით, რითაც ხვრეტს ხის ნაწილებს. სახლდება გემების ხის ფსკერზე, ჰიდროტექ. ნაგებობებზე; აკეთებს მათში სავალ გზებს, რითაც საგრძნობი ზიანი მოაქვთ. გავრცელებულია ტროპ. და ზომიერი სარტყლის ზღვებში. სსრკ წყლებში გვხვდება 4 სახეობა, მ. შ. 2 (Teredo utriculus და T. pecicellata). საქართვ. შავი ზღვის პირა წყლებში ბინადრობს. *გ. ლეჟავა*.

ტერეზინა (Teresina), ქალაქი ჩრდ.-აღმ. ბრაზილიაში, მდ. პარნაიბის ნაპირზე, პიაუის შტატის ადმ. ცენტრი. 34% ათ. მცხ. (1980). რკინიგზის ჯადგური; საფეიქრო და კვების მრეწვ. საწარმოები.

ტერელაძე აკაკი ლუკას ძე (5. I. 1919, სოფ. გვაზაური, წულუკიძის რ-ნი, — 7. X. 1943), საბჭ. კავშირის გმირი (10. I. 1944, სიკვდილის შემდეგ), უფროსი ლეიტენანტი. სკკპ წევრი 1943-იდან. 1939-იდან სწავლობდა საქარივ. სას. სამ. ინ-ტში. 1941 მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. მდ. დნეპრის გადალახვისას თავისი ასეულით ერთ-ერთი პირველი გადავიდა მეორე ნაპირზე. ორდღიან უთანასწორო ბრძოლაში მოიგერია მტრის რამდენიმე კონტრიერიში და დამხმარე ძალების მოსვლამდე შეინარჩუნა მოპოვებული პლაცდარმი. აქ გამოჩენილი თავგანწირვისთვის (იგი დაიღუპა ამ ბრძოლაში) მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ტ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენითა და სამამულო ომის II ხარისხის ორდენით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი*.

ტერენინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [24. IV (6. V). 1896, კალუგა, — 18. I. 1967, მოსკოვი], საბჭ. ფიზიკოს-ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). სოციალ. შრომის გმირი (1966). პეტროგრად-ტის დამთავრების (1922) შემდეგ მუშაობდა იქვე, აგრეთვე სახელმწ. ოპტიკ-ტში (1945—56 სამეცნ. ხელმძღვანელი). ლენინგრ. უნ-ტის პროფესორი და კათედრის გამგე (1932-იდან). მისი ძირითადი შრომები ეძღვნება სინათლის გავლენით ნივთიერებებში მიმდინარე ფიზ. და ქიმ. პროცესების კვლევას; სწავლობდა ორგ. ნაერთებსა და არაორგ. ნახევრად გამტარებში *ფოტოელექტრულ მოვლენებსა* და სხვ. ტ-მა შექმნა საბჭ. ფოტოქიმიკოსების სკოლა. ს. ვავილოვის სახ. ოქროს მედალი (1953). სსრკ სახელმწ. პრემია (1946). დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

ლიტ.: Горячева Р. И., Румянцева О. Ф., А. Н. Теренин, М. 1971 (АН СССР. Материалы к библиографии ученых СССР. Серия химических наук, в. 47).

„ტერენტი გრანელი“, ქართული გაზეთი, ტ. *გრანელის* შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერთდღიური გამოცემა. გამოვიდა თბილისში 1924 წ. 21 დეკ. რედაქტორი — თ. ჩიქვანაია. გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებსა და წერილებში ქართვ. მწერლებმა და საზ. მოღვაწეებმა მაღალი შეფასება მისცეს ტ. გრანელი პოეზიას. დაბეჭდილია დ. ახვლედიანის, ვ. ბარნოვის, თ. ბორელის (კეშელავა), ვ. დაისელის (ი. ბაბუაძე), პ. ირემაშვილის (ქალანდაძე), კ. კაპანელის (ჭანტურია), გ. ნადირაძის, ვ. ნორაკიძის, გ. შავლიაშვილის, დ. კობაძის წერილები, სტატიები და ლექსები, აგრეთვე ტ. გრ

ნელის ლექსები და პოეტისადმი საქართვ. სხვადასხვა კუთხიდან მოსული მისალმებანი. *მ. კვარაცხელია.*

ტერენციუსი პუბლიუს აფრიკელი (Publius Terentius Afer) (დაახლ. ძვ. წ. 195 ან 185, კართაგენი, — 159, საბერძნეთი), რომაელი კომედიოგრაფი. ბერძნ. ან. ატიკური კომედიების საფუძველზე 166—160 შექმნა 6 კომედია: „ანდროსელი ქალი", „თვითმგეემი", „საჭურისი", „ფორმიონი", „დედამთილი", „ძმები". ზოგჯერ მიმართავდა კონტამინაციის ხერხს. ტ-ის, როგორც ელინოფილური მიმართულების მწერლის, კომედია ტიპური პალიატაა — მაღალი, დახვეწილი, სერიოზული სტილით დაწერილი და არქაიზმებით მდიდარი; ერთგულად მიჰყვება ბერძნ. დედნებს. მისი დრამატურგიის ტექ. თავისებურებაა პროლოგის გამოყენება ლიტ. პოლემიკისათვის. კომედიების თემატიკა საყოფაცხოვრებო ხასიათისაა; ქადაგებს ეთიკურ პრინციპებზე დამყარებულ ჰუმანისტურ იდეებს.

ლიტ.: ჯაუხჩივილი ს., ანტიკური ლიტერატურის ისტორია, გამოც. მე-3, თბ., 1971; История римской литературы, т. 1, М., 1959.

ტერესა დე ხესუსი (Teresa de Iesus) (საერო სახელი ტერესა დე სეპედა ი აუმადა, Teresa de Cepeda y Ahumada) (28. III. 1515, ავილა-დელოს-კაბალიეროსი, — 4. X. 1582, ალბა-დე-ტორმესი), ესპანელი მწერალი ქალი, მისტიკოსი. სიცოცხლეშივე აღიარეს წმინდანად (1622 პაპმა მოახდინა მისი კანონიზაცია), შემდეგ „ესპანეთის მფარველად" გამოაცხადეს ჯერ მეფე ფილიპე III-მ, მერე კორტესებმა. ტ. დე ხ-ის შემოქმედებაში გამოირჩევა ავტობიოგრ. „ცხოვრების წიგნი" (1562—65), აგრეთვე „წიგნი დაფუძნებათა" (1573—82), „წიგნი საბინადროსი ანუ შინაგანი სასახლე" (1577), რ-შიც ავტორი ადამიანის სულიერ ცხოვრებას წარმოსახავს 7 ცალკეულ საბინადროდ, რაც უნდა გაიაროს სულმა, რათა შეერთოს ღმერთს. მასვე ეკუთვნის რელიგ. ლექსები („სიმღერები"). აღიარებულია ესპ. ლიტ-რის კლასიკოსად.

ტერისკენი (Ceratoides), მცენარეთა გვარი ნაცარქათამასებრთა ოჯახისა. ერთსახლიანი ბუჩქებალახები ან პატარა ბუჩქებია. ფოთლები და ერთწლიანი ყლორტები ვარსკვლავა ბეწვებით აქვთ მოფენილი. 7—8 სახეობა გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში, იშვიათად ჩრდ. აფრიკაში, ელზე, ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოში. სსრკ-ში 2 სახეობაა, მათგან საქართველოში გვხვდება 1 — C. lateńs (ადრე Eurotia ceratoides); იზრდება ქარბილსა და მესხეთში, მთის შუა სარტყლამდე, მშრალ, ღორღიან ფერდობებზე. უდაბნოში იყენებენ საწვავად და აქლემის საკვებად.

ტერეშკოვა ვალენტინა ვლადიმერის ასული, იხ. *ნიკოლაევა-ტერეშკოვა* ვ. ვ.

ტერეშჩენკო ნიკოლოზ ივანეს ძე [1 (13). IX. 1898, სოფ. შჩერბინოვკა, ახლანდ. ჩერკასის ოლქი, — 30. V. 1966, კიევი], უკრაინელი საბჭ. პოეტი. ძირითადი კრებულები: „ლაბორატორია" (1924), „მიზანი და ზღვარი" (1927), „რესპუბლიკა" (1929), „უკრაინელი ქალიშვილი" (1942), „გულუხვი მიწა" (1956), „კაცის გული" (1962) და სხვ. თარგმნილია ფრანგულიდან (ანთოლოგია „ფრანგული პოეზიის თანავარსკვლავედი", გამოქვეყნდა 1971).

ტერი (Terry) ელენ ელის (27. II. 1847, კოვენტრი, უორკშირის საგრაფო, — 21. VII. 1928, სმოლ-ჰაითი, ქ. ტენტერდენის მახლობლად, კენტის საგრაფო), ინგლისელი მსახიობი. დაიბადა მსახიობის ოჯახში. 9 წლიდან გამოდიოდა სცენაზე. 1878—1902 თეატრ „ლიცეუმის" წამყვანი მსახიობი იყო. ასრულებდა ოფელიას (შექსპირის „ჰამლეტი"), მარგარიტას (გოეთეს „ფაუსტი"), პორციას, ვიოლას, ბეატრიჩეს (შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი", „მეთორმეტე ღამე", „აურზაური არაფრის გამო") როლებს. 1902—03 ხელმძღვანელობდა თეატრ „იმპირიალს", სადაც თავის შვილთან ჰ. კრეგთან ერთად დადგა იბსენის „მეომრები ჰელგელანდში" (შეასრულა იორდისის როლი) და შექსპირის „აურზაური არაფრის გამო". 1910 საგასტროლოდ იყო ინგლ. სხვადასხვა ქალაქში, აშშ-ში, ავსტრალიაში.

ტერიანი ვაჰან (ნამდვ. სახელი და გვარი ვაჰან სუქიასის ძე ტ ე რ-გ რ ი გ ო რ ი ა ნ ი) [28. I (9. II). 1885, სოფ. განძანი, ახლანდ. ბოგდანოვკის რ-ნი, საქ. სსრ, — 7. I. 1920, ორენბურგი], სომეხი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. სკკპ წევრი 1917-იდან. 1906 დაამთავრა მოსკ. ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინ-ტი. მისი ლექსების პირველი კრებ. „მწუხრის ოცნებანი" თბილისში დაიბეჭდა (1908). მოგვიანებით მის პოეზიაში თავი იჩინა სოც. მოტივებმა (ლექსების ციკლი „ქვეყანა ნაირი", გამოქვეყნდა 1915). მიესალმა ოქტ. რევოლუციას („შენ გიმღერი" და სხვ.). თარგმნა ვეფხისტყაოსნის პროლოგი, აგრეთვე ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები „სახელმწიფო და რევოლუცია", „კარლ მარქსი". ტ-ის შემოქმედებამ გავლენა მოახდინა სომხ. პოეზიის განვითარებაზე. საბჭოების სრულიად რუს. III და IV ყრილობებზე აირჩიეს ცაკის წევრად.

ლიტ.: Григорьян К., Ваан Терьян. Очерк жизни и творчества, М., 1957; Вісівг, К истории текста статьи акад. Н. Я. Марра „Памяти моего слушателя Терьяна", «Известия Академии наук. Отдел литературы и языка», 1946, т. 5, в. 5, с. 429—434.

ტერიგენული ნალექები, ფხვიერი ნალექები ან *კლასტური ქანები*, რ-ებიც შედგებიან ხმელეთის ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ქანების ნატეხების ან მინერალების მარცვლებისაგან. ტ. ნ. გროვდება წყალსატევებში (ზღვები, ტბები) ან ხმელეთის ზედაპირზე.

ტერიერები (ინგლ. terrier), სანადირო და დეკორატიული ძაღლების ჯიშთა ჯგუფი. უმეტესობა გამოყვანილია დიდი ბრიტანეთის კ-ებზე. ზოგიერთი ჯიში ცნობილი იყო ჯერ კიდევ XII ს-ში. იყენებენ სოროში ბინადარ ცხოველებზე სანადიროდ. ტ. გამოირჩევიან გამბედაობით, მამაცად ებრძვიან ტანად მათზე გაცილებით დიდ ცხოველებს. ცნობილია 30-მდე ჯიში. სანადიროდ იყენებენ 30—40 *სმ* სიმაღლის ტ-ს. დეკორ. ტ-ის სიმაღლე 18—26 *სმ* აღწევს. ყველაზე დიდია ერდელტერიერი (სიმაღლე 62—66 *სმ*), რ-იც სასამსახურო დანიშნულებისაა. სსრკ-ში ტ-ით ნადირობენ მელაზე, ენოტისებრ ძაღლზე, იშვიათად მაჩვზე.

გ. საყაძე.

ტერიკონიკი (ფრანგ. terri — ქანის ნაყარი და conique — კონუსური), შახტებიდან და მაღაროებიდან მიწის ზედაპირზე ამოტანილი ფუჭი ქანის საწყობი (მიწაყრილი). ფორმის მიხედვით ტ. არის ბრტყელი, კონუსური, სექტორული და სხვ.; ქანის ტრანსპორტირების საშუალებებია უსასრულო ბაგირი, კიდული ბაგირგზები, კონვეიერები, ავტომობილები, რკინიგზისა და ჰიდრავ. ტრანსპორტი. გარემოს დაცვის მიზნით ატარებენ ტ-ის რეკულტივაციას, რ-იც მოიცავს ორ ეტაპს: ს ა მ თ ო-ტ ე ქ ნ ი კ ურ ს (გასწორება და ნოყიერი ნიადაგის შრით დაფარვა) და ბ ი ო ლ ო გ ი ურ ს (ბალახის დათესვა, ხეებისა და ბუჩქების დარგვა).

ტერილენი, *პოლიეთერული ბოჭკოს* სავაჭრო სახელწოდება (დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, გფრ და სხვ.).

ტერიტორიული ზღვა, ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი წ ყ ლ ე ბ ი, საზღვაო ზოლი, რ-იც აკრავს სახელმწიფოს ნაპირებს (კ-ებისა და შიგა წყლების ჩათვლით) და რ-ზედაც ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ტ. ზ., მისი წიაღი და მის ზევით საჰაერო სივრცე სახელმწიფოს სრულ იურისდიქციას ექვემდებარება. ჟენევის 1958 კონვენცია ტ. ზ-ის შესახებ (რატიფიცირებულია საბჭ. კავშირის მიერ 1960) ადგენს ტ. ზ-ის სამართ. რეჟიმს მონაპირე სახელმწიფოს და საერთაშ. ნაოსნობის საჭიროებების ინტერესების გათვალისწინებით. ტ. ზ-ის რეჟიმი განისაზღვრება აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოების კანონმდებლობით. „მშვიდობიანი გავლის" პრინციპის მიხედვით, რ-იც საერთაშ. სამართ. საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს მიეკუთვნება. სახელმწიფოები მოვალენი არიან გაატარონ ყველა ქვეყნის გემები, რ-ებიც გზის შემოკლების ან ღია ზღვაში გასვლის მიზნით შედიან ტ. ზ-ში. ზოგიერთი ქვეყანა, მ. შ. სსრკ, სამხ. გემების მშვიდობიანი გავლისათვის წინასწარ შეტყობინებას მოითხოვს. გავლის დროს არ უნდა ირღვეოდეს მონაპირე სახელმწიფოს უშიშროება, წყალქვეშა ნავები ამოტივტივებულად უნდა გადიოდნენ, დაცული უნდა იყოს მონაპირე სახელმწიფოს მიერ დადგენილი კურსი და გავლის წესები. ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავისი ტ. ზ-ის სიგანეს, თუმცა საერთაშ. სამართ. ჩვეულებით დამკვიდრდა ამ ზოლის მინიმუმი (3 საზღვ. მილი) და მაქსიმუმი (12 საზღვ. მილი). მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს (ძირითადად ლათ. ამერ. ქვეყნები) ტ. ზ. სჭარბობს მაქსიმალურ ზღვარს (მაგ., ბრაზილიასა და პერუში მიღებულია 200 საზღვ. მილი); სსრკ (რ-ის ტ. ზ-ის სიგანე 12 საზღვ. მილია) და ზოგიერთი სხვა ქვეყანა ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ გამოდიან.

ლ. ალექსიძე.

ტერიტორიული ჯარები, საჯარისო ფორმირებანი, რ-ებიც მშვიდობიანობის პერიოდში ტერიტორიულ სამხედრო ოკრუგის საფუძველზე იქმნება. სსრკ-ში არსებობდა 1923—35.

ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, ს ა წ ა რ მ ო-ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ი, სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა სივრცობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ოპტიმალური ფორმა, რ-იც სრულად უპასუხებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მათი განვითარების ამოცანებს. ტ.-ს. კ. წარმოადგენს ეკონ. რ-ნის (ქვერაიონის) მეურნეობის ნაწილს, ერთმანეთთან დაკავშირებულ სამრეწვ. და სას.-სამ. საწარმოების ერთობლიობას, ყალიბდება გარკვეულ ტერიტორიაზე და აქტიურად მონაწილეობს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში. ტ.-ს. კ-ების ერთიანობა იქმნება საწარმოთა კავშირებით, საერთო ბუნებრივი და ეკონ. რესურსების გამოყენებით, აგრეთვე განსახლების საერთო სისტემით. ტ.-ს. კ. იძლევა დიდ ეკონ. ეფექტს საწარმოთა კომბინირებისა და კოოპერირების გზით, ბუნებრივი და შრომითი რესურსების, მეორეული ნედლეულის, სატრანსპ. ქსელის რაციონალური გამოყენებით, საინჟინრო კომუნიკაციებისა და სოც.-კულტ. ობიექტების მშენებლობის ღირებულების შემცირებით. ტ.-ს. კ-ები არ წარმოადგენენ ეკონ. რ-ნებს, მაგრამ ემსახურებიან რ-ნების მატერ.-ტექ. საფუძვლის შექმნას. მათი არსებითი ნიშანია სამრეწვ. კვანძებისა და სას.-სამ. საწარმოთა კომპაქტური ჯგუფების, აგრეთვე მათ გამაერთიანებელ ნაგებობათა საწარმოო ინფრასტრუქტურის ხასიათი.


სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში აღნიშნულია ტ.-ს. კ-ების შექმნის პროცესის პროგრესულობა, მისი მჭიდრო კავშირი წინასაგეგმო მუშაობასთან. მდიდარი ბუნებრივი რესურსების რ-ნებში ინტენსიურად ყალიბ-




ა. ტერენინი.



ე. ტ ე რ ი ოლივიას როლში (უ. უილზის „ოლივია").



ტერმიტების (Bellicositermes bellicosus) კასტები: 1—დედალი („დედოფალი"); 2—მამალი („მეფე"); 3—დიდი „ჯარისკაცი"; 4—პატარა „ჯარისკაცი"; 5—დიდი „მუშა"; 6—პატარა „მუშა".



Pseudocanthotermes-ის გვარის ტერმიტების „სოკოს" ბაღები.

დება საკავშ. მნიშვნელობის ტ.-ს. კ-ები. მაგ., დას. ციმბირის ვაკის ჩრდ. ნაწილში ნავთობის, აირისა და ტყის რესურსების ათვისების გზით იქმნება დიდი ტ.-ს. კ-ები. აღმ. ციმბირში გრძელდება ბრატსკ-უსტ-ილიმსკის ტ.-ს. კ-ის განვითარება, რაც მდ. ანგარის უჭვ და იაფ ჰიდროენერგეტ. რესურსებს ემყარება. მდ. ენისეის ჰიდროენერგიის გამოყენების ბაზაზე ყალიბდება საიანის ტ.-ს. კ. ბამის გავლენის ზონაში შეიქმნება რამდენიმე (ზემო ლენის, სამხრ. იაკუტიის, ქვემო ამურისა და სხვ.) ტ.-ს. კ. კურსკის მაგნიტურ ანომალიის რ-ნის ტ.-ს. კ. იქმნება რკინის მადნისა და სხვა რესურსების ბაზაზე. ორენბურგის ტ.-ს. კ. ყალიბდება აირკონდენსატური უდიდესი საბადოს რესურსებზე, სამხრ. ტაჯ. ტ.-ს. კ. — დიდი ჰესების კასკადის ბაზაზე (ნურაქის, როგუნისა და სხვა ჰესები მდ. ვახშზე).

ტერმინალური მდგომარეობა (ლათ. terminalis — ბოლოსთან, დასასრულთან დაკავშირებული), სიცოცხლის ბოლო სტადია — გარდამავალი მდგომარეობა სიცოცხლესა და ბიოლოგიურ სიკვდილს შორის. ახასიათებს უმნიშვნელოვანესი ორგანოებისა და სისტემების ფუნქციების ღრმა, თუმცა შექცევადი დარღვევები, მზარდი *ჰიპოქსია*. ტ. მ-ში შედის აგონიის წინარე სტადია, რ-ის დროსაც ნელ-ნელა ქრება ცნობიერება და რეფლექსები, ხოლო სუნთქვა და გულის მოქმედება ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, აგრეთვე *აგონია* და კლინიკური სიკვდილი (იხ. *სიკვდილი*), როდესაც სიცოცხლის გარეგანი ნიშნები აღარ ვლინდება. ტ. მ-ის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ძირითადად დაავადებაზე და იმაზე, მიღებულია თუ არა ზომები ორგანიზმის გასაცოცხლებლად — გულის მასაჟი, ხელოვნური და დამხმარე სუნთქვა და სხვ. (იხ. აგრეთვე სტ. *რეანიმაცია*).

ტერმინატორი (<ლათ. termino — ვაცალკევებ, ვყოფ), წირი, რ-იც პლანეტის ან მისი თანამგზავრის დისკოზე მზისგან გაუნათებელ (ღამის) და განათებულ (დღის) ნაწილებს ჰყოფს. დისკოზე ტ-ის გეგმილი ნახევარელიფსია. ტ-ზე მდებარე წერტილებისათვის მზე ან ამოდის (დილის ტ.), ან ჩადის (საღამოს ტ.). ატმოსფეროს არსებობისას ტ. პლანეტის ღამის ნახევარზეა გადაწეული ბინდისა და რეფრაქციის გამო. მთვარეზე დილის ტ. გადაადგილდება ახალმთვარეობიდან სავსემთვარეობამდე დას-იდან აღმ-ით (მარჯვნიდან მარცხნივ). ამასთანაა დაკავშირებული მთვარის ფაზების ცვლილება. სავსემთვარეობის შემდეგ საღამოს ტ. კვლავ დას. (მარჯვენა) მხარეზე იჩენს თავს და ახალმთვარეობამდე გადაინაცვლებს აღმ-კენ (მარცხნივ).

ტერმინი (გვიანდ. ლათ. terminus — ტერმინი < ლათ. terminus — ზღვარი, საზღვარი), 1. სიტყვა (ან შესიტყვება), რ-საც იყენებენ რომელიმე სპეციალური დარგის ცნების ან სპეციალური საგნის აღსანიშნავად. ამა თუ იმ ენაში ტ. შეიძლება იყოს ნასესხები ან კალკირებული საერთაშ. სიტყვა (მაგ., ქართ. გრამატ. ტ-ებიდან „სუბიექტი" ნასესხებია, „ქვემდებარე" — კალკირებული). ტ. შეიძლება საგანგებოდ შეიქმნას (მაგ., „თურმეობითი") ან კიდევ არსებული, ჩვეულებრივ სახმარი სიტყვა გამოყენებულ იქნეს ტ-ად (მაგ., „ბრუნვა"). 2. ლოგიკაში იგივეა, რაც ტერმი — ფორმალური ენის ისეთი გამოსახულება, რ-იც აღნიშნავს ან რ-საც შეუძლია აღნიშნოს საგანი. არისტოტელეს სილოგისტიკასა და ტრად. ლოგიკაში ტ. ეწოდება მსჯელობისა და დასკვნის (სილოგიზმის) იმ შემადგენელ ნაწილებს, რ-ებიც აღნიშნავენ საგანთა თვისებებს ან კლასებს. მაგ., მსჯელობაში „ყველა ადამიანი არის მოკვდავი არსება" — „ადამიანი" და „მოკვდავი არსება" ტ-ებია.

ტერმინოლოგია (*ტერმინი* და ... ლოგია), მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რომელიმე დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობა. სიტყვა „ტ." ტერმინოლოგიური ლექსიკონის სინონიმადაც იხმარება. ტ-ის განვითარებას მეცნ. ამა თუ იმ დარგის განვითარება განაპირობებს. ქართ. ტ-ის ისტორია სათავეს იღებს ქართ. მწერლობის შექმნის დასაწყისიდანვე; მისი აღმავლობა X—XII სს-იდან იწყება. მეცნ. პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში 1921-იდან დაიწყო. ამ დროიდან ტერმინოლოგიური საკითხების შესწავლას ხელმძღვანელობდა განსახკომთან არსებული „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო", 1926-იდან — „ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტი", რ-იც 1936-იდან სპეც. სამეცნ. ტ-ის განყ-ბად გადაკეთდა. ეს განყ-ბა 1941-იდან საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის შემადგენლობაშია. გამოქვეყნებულია (1985) 50-მდე ტერმინოლოგიური ლექსიკონი მეცნ. სხვადასხვა დარგში.

ტერმიტები (Isoptera), მწერების რიგი, რ-თაც არასრული გარდაქმნა ახასიათებთ. მათთვის ნიშანდობლივია საზ. ცხოვრების ნირი. სახეობის ფარგლებში აღინიშნება სქესობრივი და „კასტური" *პოლიმორფიზმი*. ტ-ის ოჯახში რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე მილიონამდე წევრია. ოჯახი შედგება დედლისა და მამლის („სამეფო წყვილი") ან მათი შემცვლელი ნეოტენიური (იხ. *ნეოტენია*) სქესობრივი ინდივიდებისაგან, დიდი და პატარა „ჯარისკაცებისა" და „მუშებისაგან". უმდაბლეს ტ-ში ნამდვილი „მუშების" ნაცვლად არიან მატლები — ფსევდერგატები. ზოგ ტ-ს საერთოდ არ ჰყავს „ჯარისკაცები". ზრდასრულ სქესობრივ ინდივიდებს აქვთ 2 წყვილი წაგრძელებული ნაზი ფრთა, რ-ებიც საქორწინო ფრენის შემდეგ სცვივათ. აქუთ ფასეტური თვალები, ზოგის განუვითარებელია, ზოგს სულ არა აქვს. ტ-ის ნაწლავებში ვითარდება სიმბიოზური (იხ. *სიმბიოზი*) უმარტივესები, რ-თა მეშვეობითაც ტ. ითვისებენ ხის უჯრედისს. ზოგი ტ. იკვებება მხოლოდ სოკოებით, ძირითადად ობის სოკოებით, რ-ებსაც ისინი „სოკოს ბაღებში" ამრავლებენ. ოჯახის საფუძველია „სამეფო წყვილი", რ-იხ სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე ათეულამდე წელია, თვითონ ოჯახმა კი შეიძლება მრავალ ათეულ წელს იარსებოს. მუშა ინდივიდები ამარაგებენ ოჯახს საკვებით, აშენებენ ბუდეებსა და გადასასვლელებს. მათი ბუდეები მრავალფეროვანია როგორც ფორმის, ისე ზომის მიხედვით, მაგ., ზოგი ტროპ. სახეობის ბუდის სიმაღლე 15 *მ* აღწევს. ტ. მოიცავს 2600-მდე სახეობას, რ-ებიც გაერთიანებულია 6 ოჯახში. გავრცელებული არიან ძირითადად ტროპიკებში, ნაწილობრივ სუბტროპიკებში. სსრკ-ში (უკრაინაში, შუა აზიაში, კავკ. შავი ზღვის სანაპიროზე და შორეულ აღმოსავლეთში) გვხვდება 4 ოჯახის 7 სახეობა. ტ. შლიან მერქანსა და სხვა მასალას, აფრიკასა და ინდოეთში აზიანებენ სას.-სამ. კულტურებს.

ტერნერი (Turner) ნატ (2. X. 1800, საუთჰემპტონი, ვირჯინიის შტ., — 11. XI. 1831, იერუსალიმი, ახლანდ. კორტლენდი, აშშ), ზანგი მონების აჯანყების ხელმძღვანელი აშშ-ში. ბაპტისტი მღვდელი. აჯანყება დაიწყო 1831 წ. 21 აგვ. საუთჰემპტონის საგრაფოში (ვირჯინიის შტ.) აჯანყებულთა რაზმი ნაჯახებითა და ცელებით შეიარაღებული 70 კაცისაგან შედგებოდა. საგრაფოს ადმ. ცენტრის ქ. იერუსალიმის მახლობლად შეიარაღებულმა მონათმფლობელებმა და ფედერალურმა ჯარებმა აჯანყებულები გაფანტეს. ტ. 19 თანამდგომთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. ამ აჯანყებამ ხელი შეუწყო აშშ-ში აბოლიციონისტური მოძრაობის გაძლიერებას.

ტერნერი (Turner) ჯოზეფ მელორდ უილიამ (23. IV. 1775, ლონდონი, — 19. XII. 1851, იქვე), ინგლისელი ფერმწერი, გრავიორი, თეორეტიკოსი. სწავლობდა არქიტექტორ და მხატვარ ტ. მოლტონთან ლონდონის სამხატვრო აკადემიაში (1789—93; 1802-იდან აკადემიკოსი, 1808-იდან პროფესორი). განიცადა რ. უილსონის, XVII ს. ფრანგი და ჰოლანდ. პეიზაჟისტების, XVI ს. ვენეციელ ფერმწერთა გავლენა. ტ. იყო რომანტიკული პეიზაჟის ოსტატი, ქმნიდა სურათებს ისტ. და მითოლ. თემებზეც, ასრულებდა ნახატებს გრავიურისათვის. ტ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თავისუფალი და დინამ. ფერწერული მანერა, კონტრასტული, მოციმციმე კოლორიტი. სახელმწიფოს საჩუქრად დაუტოვა 282 სურათი, 19 ათ-ზე მეტი აკვარელი და ნახატი (უმეტესად ტეიტისა და ეროვნ. გალერეებს, ლონდონი). ნამუშევრები: „მზის ამოსვლა ბურუსში" (1807), „ულისე და პოლიფემე" (1828—29), „ვენეციის ხედი" (1843), — ყველა ეროვნ. გალერეა, ლონდონი; „ყინვიანი დილა" (1813), „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობანი" (1832), — ორივე ტეიტის გალერეა, ლონდონი.

ტერნერი (Turner) ჰერბერტ ჰოლ (13. VIII. 1861, ლიდზი, — 20. VIII. 1930, სტოკჰოლმი), ინგლისელი ასტრონომი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1896—1904). დაამთავრა კემბრიჯის ტრინიტ-კოლეჯი, მუშაობდა გრინვიჩის ობსერვატორიაში (1884—93). 1893-იდან ოქსფორდის უნ-ტის პროფესორი და უნ-ტის ობსერვ. დირექტორი. 1896 პირველმა გამოიყენა *ცელოსტატი* მზის გვირგვინის დაკვირვებისათვის *მზის დაბნელების* დროს. ფოტოსურათების მიხედვით დაამუშავა ვარსკვლავთა ზუსტი მდებარეობების განსაზღვრის მეთოდი (ტერნერის მეთოდი, 1893). ხელმძღვანელობდა ვარსკვლავთა ასტროფიზ. კატალოგის შედგენას და სხვ. ავტორია პოპულარული წიგნებისა ასტრონომიაში.

ტერნი (Terni), ქალაქი ცენტრ. იტალიაში, მდ. ნერის ნაპირზე. ტერნის პროვ. (უმბრიის ოლქი) ადმ. ცენტრი. 113 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. შავი მეტალურგია, მძიმე მანქანათმშ., ქიმ. მრეწველობა. საფეიქრო, შაქრის, ტყავის, ავეჯის, ჯუთის საწარმოები. ტ-ს მახლობლადაა ჰესების კასკადი.

ტერნოპოლი (1944-მდე ტარნოპოლი), ქალაქი, უკრ. სსრ ტერნოპოლის ოლქის ცენტრი, მდ. სერეტის (დნესტრის შენაკადი) ნაპირზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. აეროპორტი. 168 ათ. მცხ. (1983). ცნობილია 1540-იდან. 1772-იდან ავსტრიის შემადგენლობაშია. 1809—15 რუს. იმპერიაში შედიოდა. 1920—39 ბურჟ. პოლონეთის შემადგენლობაში იყო. 1939 დეკ-იდან უკრ. სსრ საოლქო ცენტრია. 1941 წ. 30 ივნისიდან 1944 წ. 15 აპრ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

ტ. რესპ. ერთ-ერთი სამრეწვ. და კულტ. ცენტრია. განვითარებულია კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. არის ელექტროსაარმატურო, სას.-სამ. მანქანების, სავაჭრო მანქანათმშ., 2 ავტოსარემონტო, ფაიფურისა და სხვა ქ-ნები. საშენ მასალათა და ავეჯის წარმოება.

ხუროთმოძღვრული ძეგლები: ეკლესიები — ქრისტესშობისა თავდაცვითი კომკითურთ (1596—98), აღდგომისა (XVII ს.). ომის შემდგომ წლებში ტ. აღდგა გენ. გეგმის (1945—54, არქიტ. ვ. ნოვიკოვი, ნ. პანჩუკი) მიხედვით, განაშენიანდა საცხოვრ. მასივები, აიგო დიდი საზ. შენობები. ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინ-

ჯაო, გრანიტი, 1967, მოქანდაკე მ. რობერმანი) და სხვ.

ტ-ში არის სამედ., საფინანსო-ეკონ., პედ. ინ-ტები, ლვოვის პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, საბჭ. ვაჭრობის, კოოპ. ტექნიკუმები, სამუსიკო სასწავლებელი. შევჩენკოს სახ. მუს.-დრამ. თეატრი. ფილარმონია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ტერნოპოლის ოლქი, შედის უკრ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1939 წ. 4 დეკ. ფართ. 13,8 ათ. კმ². მოსახლ. 1162 ათ. კაცი (1983), აქედან ქალაქში ცხოვრობს 35%. ცენტრი — ქ. ტერნოპოლი. ოლქი მდებარეობს უკრ. სსრ დას. ნაწილში და უკავია პოდოლის მაღლობის დას. კიდე. ტერიტ. მეტი ნაწილი 300—400 მ სიმაღლისაა. მთავარი მდ-ა დნესტრი.

განვითარებულია კვების (შაქრის, სპირტის, რძის, ყველ-კარაქის, საკონსერვო და სხვა ქ-ნები), მსუბუქი (ბამბეულის კომბინატი, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ხელოვნური ტყავის და სხვა ქ-ნები), მანქანათსაშ., ლითონდასამუშ. (ქ-ნა „ელექტროარმატურა", კომბაინების, ავტოსარემონტო, სავაჭრო მოწყობილობისა და სხვა ქ-ნები), საშენ მასალათა, ხე-ტყის დასამუშ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. სოფ. მეურნეობაში მისდევენ მემარცვლეობას, მეჭარხლეობასა და სარძეო-სახორცე მეცხოველეობას. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, წიწიბურა, სიმინდი, ტექ. და საკვები კულტურები, ბოსტნეული, კარტოფილი. აშენებენ ძროხას, ღორს, ცხვარს, თხას. სანაოსნოა მდ. დნესტრი.

ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

ტერორისტული აქტი, პოლიტიკური მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა ანდა სხვა ძალადობა მის მიმართ. საბჭ. სისხლის სამართ. მიხედვით, მ. ა. საშიში *სახელმწიფო დანაშაულია* და მძიმედ ისჯება (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 67). ტ. ა-ად მიიჩნევა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, საბჭ. ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრის ანდა მისი შესუსტების მიზნით ჩადენილი მკელელობა ან სხვა ძალადობა.

საერთაშ. სამართალი ტ. ა-ად მიიჩნევს სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურის, დიპლ. წარმომადგენლობის წევრის მკვლელობას ანდა სხვაგვარ ხელყოფას ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით. ტერორიზმი ზოგიერთი იმპერიალ. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპად იქცა. იხ. აგრეთვე *საჰაერო ხომალდის გატაცება*.

ტეროფიტები, თეროფიტები (ბერძნ. theros — ზაფხული და phyton — მცენარე), ერთწლოვანი მცენარეები, რ-თაც წლის არახელსაყრელი სეზონური პირობები გადააქვთ თესლის ან სპორების სახით. ასეთია უმთავრესად ყვავილოვანი მცენარეები, აგრეთვე ხავსები, მღიერები და სოკოები. ყვავილოვან მცენარეთა შორის ტ-ს განასხვავებენ განვითარების სეზონურობის, ღეროს ზრდის ფორმის (სწორმდგომი, ხეიარა, მხოხავი, მცოცავი და გართხმული და სხვ.), ფოთლების გაწყობის (როზეტიანი, ნახევრადროზეტიანი, უროზეტო), კვების (პარაზიტები, ნახევრად პარაზიტები და სხვ.), ეკოლოგიური ორგანოების კონსისტენციის (ღეროსუკულენტური, ფოთოლსუკულენტური და სხვ.), ეკლიანობის, შებუსვის, სიმაღლისა და სხვ. მიხედვით. ტ. ძირითადად მშრალ ადგილებში (უდაბნო, სტეპი, ფრიგანა და სხვ.) გვხვდება.

მ. საბოკია.

ტერპანდრე (Terpandros) (ძვ. წ. VII ს.), ძვ. ბერძენი პოეტი და მუსიკოსი. წარმოშობით ლესბოსელი, ქ. ანტისიდან, მოღვაწეობდა სპარტაში. ტ-ს მიაწერენ შვიდსიმიანი კითარის სრულყოფას. მიჩნეულია რელიგ. მუს. ჟანრის ფუძემდებლად, თხზავდა აპოლონისადმი მიძღვნილ მუს. ნაწარმოებებს, ე. წ. ნომებს. მასვე მიეწერება ე. წ. მიქსოლიდიური ტონალობების გამოყენება და სუფრული სიმღერების ჟანრის (სკოლიონების) შექმნა.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950.

ტერპენები, ბუნებაში ფართოდ გავრცელებული (ძირითადად მცენარეებში) უჯერი ნახშირწყალბადები, რ-თა მოლეკულები აგებულია იზოპრენული რგოლებით, $(C_5H_8)_n$, სადაც $n \geq 2$. ტ-ის ჯგუფებია: მონოტერპენები $C_{10}H_{16}$ (ჩვეულებრივი ტ.), სესკვიტერპენები $C_{15}H_{24}$, დიტერპენები $C_{20}H_{32}$, ტრიტერპენები $C_{30}H_{48}$ და პოლიტერპენები, მაგ., *კაუჩუკი ნატურალური*. ტ. აღმოჩენილია მცენარეთა ყველა ქსოვილში (შედის ეთერზეთებში, სკიპიდარში და სხვ.) და სხვ. მოლეკულების აღნაგობის მიხედვით განასხვავებენ აციკლურ (მაგ., მირცენი) და ციკლურ (მაგ., ლიმონენი, კამფენი, *პინენი*) ტ-ს.

ტ. წყალში პრაქტიკულად უხსნარია, კარგად იხსნება არაპოლარულ ორგ. გამხსნელებში. ადვილად მიმდინარეობს ტ-ის ჟანგვის, პოლიმერიზაციის, პიდრირებისა და იზომერიზაციის პროცესები. ბუნებრივი ნედლეულისგან ტ-ს გამოყოფენ რექტიფიკაციით, გაყინვითა და სხვა მეთოდებით. თავისუფალი ან ეთერზეთებისა და ფისების სახით ტ-ს ფართოდ იყენებენ პარფიუმერიაში, საკვებ ესენციებში, მედიცინაში.

ლიტ.: Пигулевский Г. В., Химия терпенов, Л., 1949.

ტერპენტინის ზეთი, ბელეკონის ზეთი, სხვადასხვა ჯიშის ფიჭვის ფისოვანი გამონადენის შემადგენელი ნაწილი. იხ. აგრეთვე *სკიპიდარი*.

ტერპიგორევი ალექსანდრე მიტროფანის ძე [9 (21). XI. 1873, ტამბოვი, — 8. XI. 1959, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი სამთო საქმის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935). დაამთავრა პეტერბ. სამთო ინ-ტი (1897). მუშაობდა მაღაროებში და ეკატერინოსლავის სამთო ინ-ტში, მოსკ. სამთო ინ-ტის პროფესორი (1922—59), სსრკ მეცნ. აკად. სამთო საქმის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1938—59). ტ-ის შრომები ეძღვნება სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების პრობლემებს, მ. შ. სამთო სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სამთო მანქანების კონსტრუირების, ჰიდრომექანიზაციისა და მიწისქვეშა გაზიფიკაციის საკითხებს და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1943). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Горные машины для выемки пластовых полезных ископаемых, М., 1950 (თანაავტ.: М. М. Протодьяконов и П. Н. Демидов); Рудничная доставка, М., 1929.

ლიტ.: Розентретер Б. А., Александр Митрофанович Терпигорев, М., 1965.

ტერტულიანე კვინტუს სეპტიმუს ფლორენს (Quintus Septimus Florens Tertullianus) (დაახლ. 160, კართაგენი, — 220-ის შემდეგ, იქვე), ქრისტიანი ღვთისმეტყველი და მწერალი. მიიღო იურიდ. და რიტორიკული განათლება. 195 ქრისტეს სჯულს ეზიარა და დაბრუნდა კართაგენში. ბოლოს ეკლესიას გაემიჯნა. ვარაუდობენ, რომ ცხოვრების უკანასკნელ წლებში დაარსა „ტერტულიანისტების" განსაკუთრებული სექტა. ტ. ცოდნას უპირისპირებდა რწმენას („ძე ღვთისა გარდაიცვალა. ეს სავსებით დამაჯერებელია, რადგან გაუგებარია. დამარხვის შემდეგ იგი აღდგა. ეს უეჭველია, რადგან შეუძლებელია"). გამოთქმა „მწამს, რადგან აბსურდია", რ-იც ტრადიციულად ტ-ს მიეწერება, მის შრომებში არ გვხვდება. ტ-ს მოძღვრებას ორი ასპექტი აქვს: 1. მატერიალისტური, რამდენადაც არსებული ესმის როგორც გარკვეული აზრით სხეულებრივი: სული გამჭვირვალე ნათელი სხეულია; 2. მისტიკურ-ფსიქოლ., რამდენადაც ტ. ცდილობს ფსიქიკის არაცნობიერი შრეების გამოკვლევას. ტ-მ შემოიღო მრავალი მნიშვნელოვანი თეოლ. ტერმინი, მაგ., „სამება".

თხზ.: Творения, ч. 1, К., 1910.

ლიტ.: Преображенский П. Ф., Тертуллиан и Рим, М., 1926.

მ. მაჭავარიანი.


ტერფი, ქვემო კიდურის პერიფერიული სეგმენტი; სხეულის საყრდენი ორგანო მოძრაობისა და დგომის დროს. ტ-ის კანჭისაგან გამყოფი პირობითი საზღვარი გაივლის გოჯების მწვერვალზე. ტ-ში განარჩევენ ტერფძირისა და ტერფზურგის ზედაპირებს. ტ-ის ჩონჩხს ქმნის 26 ძვალი, რ-ებიც შედის მისი 3 ნაწილის (უკანა ტ-ის, წინა ტ-ისა და თითების) შემადგენლობაში. უკანა ტ. შედგება კოჭის, ჭუსლის, ნავისებური, კუბური და 3 სოლისებრი ძვლისაგან. კოჭისა და კანჭის ძვლები შესწევრებულია კოჭ-წვივის სახსარში. კოჭისა და ქუსლის ძვლები კუბურ და ნავისებურ ძვლებთან ერთად წარმოქმნის ე. წ. შოპარტის სახსარს. უკანა ტ-ის ძვლები წინ ენაწევრება წინა ტ-ის 5 ძვალს და წარმოქმნის ე. წ. ლისფრანკის სახსარს. წინა ტ-ის ძვლების თავები შენაწევრებულია თითების ძირითად ფალანგებთან. ყოველ თითს აქვს 3 ფალანგი (ცერს 2). ტ-ის ყველა ძვალი დაკავშირებულია ერთმანეთთან მოკლე და მაგარი იოგებით და წარმოქმნის ტ-ის გასწვრივ და განივ თაღებს, რაც უზრუნველყოფს ტ-ის რესორულ ფუნქციას სიარულის, სირბილის, ხტომის დროს წარმოშობილი ბიძგებისა და რყევების ამორტიზაციისათვის. ტ-ის გამაგრებასა და მოძრაობაში მონაწილეობს კანჭსა და ტ-ზე განლაგებული კუნთები. ტ-ის მოხრა, გაშლა, მოზიდვა, განზიდვა ან ტრიალი ხორციელდება კანჭზე განლაგებული კუნთებით. ტ-ის ძვლები ფიქსირებულია და (ფალანგებს გარდა) მინიმალურად მოძრაობს. ტ-ს სისხლით ამარაგებს დიდი წვივის წინა და უკანა არტერია, ინერვაცია ხდება დიდი წვივისა და მცირე წვივის ნერვებით. დეფორმაციებიდან ყველაზე ხშირია *ბრტყელტერფიანობა*.

მ. ჭანტურია.



ა. ტერპიგორევი.

ტერჩი, ბრჭყალი, მანძილის საზომი ერთეული, შეადგენს *ბიჯის* 1/5-ს, ე. ი. 28 *სმ*-ს. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ბრჭყალი არის მანძილი ხელის გულიდან თითის ფრჩხილამდე და ფეხის ქუსლიდან თითის ფრჩხილამდე. ტ. დამოწმებულია გიორგი მონაზონის ბერძნ. „ქრონოგრაფიის" ქართ. თარგმანში. ბერძნ. ორიგინალში ბრჭყალის შესატყვისად არის ფუტი.


ტერნოპოლის ოლქი
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲚᲕᲝᲕᲘᲡ
ᲝᲚᲥᲘ
ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲡ
ᲒᲐᲜᲐᲓᲘᲡ
ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ
ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲡᲐᲛᲮᲔᲗᲘᲡ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ
ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐ
ᲞᲝᲚᲔᲗᲘᲡ
ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ
ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐ
ᲨᲐᲠᲗᲐ
ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ



თანდაყოლილი ცალმხრივი ტერფმრუდობა.



ნ. ტესლა.

ტერფი, ანტიკურ (ძვ. ბერძნულ, კვანტიტატიურ) მეტრიკაში განმეორებადი ჯგუფი; შედგებოდა გრძელი და მოკლე ზარცვლებისაგან. გრძელ მარცვალს ანუ ტ-ის ძლიერ ადგილს არსისი ერქვა, ხოლო მოკლე ანუ სუსტ მარცვალს — თესისი. სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში ტ. ეწოდება მარცვალთა ჯგუფს, რ-იც შედგება ერთი მაბგილიანი და ერთი ან რამდენიმე უმაბგილო მარცვლისაგან. მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, ტ. შეიძლება იყოს ორმარცვლიანი (ქორე, იამბი), სამმარცვლიანი (დაქტილი, ამფიბრაქი, ანაპესტი), ოთხმარცვლიანი (პირველი პეონი, მეორე პეონი...). ეს ტერმინები ანტ. მეტრიკიდან პირობითად არის ნასესხები. ტ. მეტრული სქემის (და არა თვით მეტრის — ლექსის რეალური კომპონენტის) ელემენტია. მისი საზღვრები ხან ემთხვევა სიტყვის საზღვარს, ხან — არა. ტ-ის დანიშნულებაა ტაეპის მეტრული ანალიზის დროს აქცენტური მწკრივების გამოყენება.

რ. ბერიძე.

ტერფმრუდობა, ტერფის რთული, კომბინირებული დეფორმაცია; შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. არსებობს თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი ტ-ის 2 კლინიკური ფორმა — ტიპური (ოსტენ-საკენის კონტრაქტურა) და ატიპური (ართროგრიპოზით, წვივის ძვლების უქონლობით გამოწვეული და სხვ.) ფორმები. ტ-ის დროს ტერფის წინა ნაწილი მიზიდულია შიგნით, ტერფის შიგნითა კიდე უფრო პატარაა, ვიდრე გარეთა, ტერფძირის ფასცია და აქილევსის მყესი დაჭიმულია, ქუსლი ზემოთაა აწეული. სიარულის დროს ავადმყოფი ეყრდნობა ტერფის გარეთა კიდეს, სადაც კოჟიჟი ვითარდება. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა კონსერვატული და ოპერაციულია. თანდაყოლილი ტ-ის კონსერვატული მკურნალობა იწყება ჭიპლარის შეხორცების შემდეგ; მსუბუქ შემთხვევებში ტარდება საკორექციო მანიპულაციები, შემდეგ მილწეული კორექცია ფიქსირდება რბილი ბანდით; სშ. და მძიმე დეფორმაციის დროს იყენებენ თაბაშირის ეტაპურ ნაზავს, შემდეგ საჭიროა ორთოპედიული ფეხსაცმლის ტარება. ბოლო წლებში საკორექციო ტუტორების დასამზადებლად თაბაშირის გარდა იყენებენ თერმოპლასტ. მასალას — პოლივიკს. ოპერაციული მკურნალობა რეკომენდებულია 2—9 წლის ასაკამდე. მოზრდილებს ოპერაციას უკეთებენ ტერფის ძვლებზე. ამჟამად თანდაყოლილი ტ-ის სამკურნალოდ ფართოდ იყენებენ კომპრესიულ-დისტრაქციულ აპარატებს. შ ე ძ ე ნ ი ლ ი ტ. ვითარდება პოლიომიელიტის, მცირე წვივის ნერვის დაზიანების, არასწორად ნამკურნალევი კოჭის ძვლის მოტეხილობის, კოჭ-წვივის სახსრის ანთებითი პროცესების, ღრმა დამწვრობისა და სხვ. შედეგად. ცალკეულ შემთხვევებში შეძენილი ტ. სათანადო მკურნალობით (მყესების პლასტიკა, სამსახსროვანი ართროდეზი, სოლისებრი რეზექცია და სხვ.) იკურნება. *ო. ლუდუმაური.*

ტერცაგი (Terzaghi) კარლ (2. X. 1883, პრაღა, — 25. X. 1963, უინჩესტერი, მასაჩუსეტსის შტ., აშშ), ამერიკელი ინჟინერი და მეცნიერი გრუნტების მექანიკისა და საძირკვლების დარგში. *გრუნტების მექანიკის* ერთ-ერთი ფუძემდებელი.

თხზ.: Механика грунтов в инженерной практике, М., 1958 (თანაავტ.: Р. Пек); Теория механики грунтов, М., 1961.

ტერცეტი (იტალ. terzetto < ლათ. tertius — მესამე), 1. ლ ე ქ ს თ წ ყ ო ბ ა შ ი სამტაეპოვანი სტროფი. ცნობილია ტ-ის 2 სახეობა: 1. სამიეე ტაეპი ერთ რითმას ემყარება: aaa bbb; 2. ორი ტაეპი გარითმულია, მესამე კი — გაურითმავი (მაგ., რიტურნელში: axa bxb). არ გავრცელებულა. ვიწრო გაგებით ტ. ეწოდება სონეტის სამტაეპოვან ნაწილებს. ტ-ის პირველი სახეობის ნიმუშია კ. ნადირაძის ლექსი „წიწამურიდან საგურამომდე":

„წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა.
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა".

რ. ბერიძე.

2. მ უ ს ი კ ა შ ი სამი შემსრულებლისგან შემდგარი მუს. ანსამბლი (ტრიო, უპირატესად ვოკალური), აგრეთვე ამ ანსამბლისათვის განკუთვნილი მუს. პიესა (ვოკალური ტ. საკრავიერი თანხლებით ან თანხლების გარეშე).

ტერცია [<ლათ. tertia divisio — საათის რიგით მესამე დანაყოფი (წუთისა და წამის შემდეგ)], დროის მოძველებული სისტემის გარეშე ერთეული. 1 ტ.=1/60 წმ≈16,66667 მწმ.

ტერცია მ უ ს ი კ ა შ ი, ერთ-ერთი ინტერვალი, აგრეთვე ერთ-ერთი *საფეხური.*

ტერცინა (იტალ. terzina, <terza rima — მესამე რითმა), სამტაეპოვანი სტროფებისაგან შედგენილი ლექსი. რითმული სქემა: aba bcb cdc ...iki k. ტ-ში გარემომცველი ტაეპები ერთიმეორესთანაა გარითმული, ხოლო ყოველი სტროფის შუა ტაეპი მომდევნო სტროფის გარემომცველ ტაეპებს ერითმება. განცალკევებით დგას ლექსის დამამთავრებელი ტაეპი, რ-იც ბოლო სამტაეპოვანი სტროფის მეორე ტაეპს ერითმება. ტ-ის ფორმას ემყარება დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია". ქართ. პოეზიაში ტ-ის ნიმუშია გ. ტაბიძის „აიგანზე".

რ. ბერიძე.

ტერ-ხაჩატუროვი არტემ იაკობის ძე [12 (24). I. 1864, ქ. ნუხა, ახლანდ. ქ. შაქი, აზერბ. სსრ, — 14. I. 1964, თბილისი], საბჭ. ელექტროენერგეტიკოსი, პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1944). დაამთავრა დარმშტადტის (გერმანია) უმაღლესი ტექ. სკოლა (1907). 1924-იდან მუშაობდა თბილ. პოლიტექ. ინ-ტში (1933—64 საქართველოს პოლიტექნ. ინ-ტის ელექტრული სადგურებისა და ქსელების კათედრის გამგე). ტ.-ხ-ის სამეცნ. შრომების მთავარი თემაა წყლის ენერგეტ. რესურსების რაციონალური გამოყენება და საქ. სსრ ელექტროენერგეტ. სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაცია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Оптимальная структура горных гидроэнергетических районов, Тб., 1958.

ტესიტურა (იტალ. tessitura, სიტყვასიტყვით — ქსოვილი < tessere — ქსოვა), მუსიკალურ ნაწარმოებში ბგერათა სიმაღლებრივი მდგომარეობა სასიმღერო ხმის ან მუს. საკრავის დიაპაზონთან შეფარდებით; შესრულების მხატვრული ღირებულება (ბუნებრივი, თავისუფალი, ლამაზი ბგერა და ა. შ.) ვოკალურ ნაწარმოებში განისაზღვრება მისი ტ-ის შეფარდებით მომღერლის ხმასთან, საკრავიერში კი — საკრავის ტექ. შესაძლებლობებთან.

ტესლა (Tesla) ნიკოლა (10. VII. 1856, სმილიანი, ყოფ. ავსტრია-უნგრეთი, ახლანდ. იუგოსლ. სფრ — 7. I. 1943, ნიუიორკი), გამომგონებელი ელექტროტექნიკისა და რადიოტექნიკის დარგში. ეროვნებით სერბი. სწავლობდა გრაცის უმაღლეს ტექ. სასწავლებელსა და პრაღის უნ-ტში (1875—80). 1882-მდე სატელეფონო საზების ინჟინრად მუშაობდა ბუდაპეშტში, 1882—84 — ედისონის კომპანიაში პარიზში, აშშ-ში. ემიგრირების (1884) შემდეგ კი — ედისონისა და უესტინგჰაუსის ქ-ნებში. 1888 გ. *ფერარისზე* ადრე მეცნიერულად აღწერა *მბრუნავი მაგნიტური ველის* მოვლენის არსი. იმავე წელს მიიღო პატენტები მრავალფაზიანი ელექტრული მანქანებისა (მ. შ. *ასინქრონული ელექტროძრავასი*) და მრავალფაზიანი ცვლადი დენის მეშვეობით ელექტროენერგიის გადაცემის სისტემების გამოგონებაზე. ორფაზიანი სისტემის გამოყენებით აშშ-ში აამუშავეს რამდენიმე საშრეწვ. ელექტროდანადგარი, მ. შ. უდიდესი ნიაგარის ჰესი (1895). 1889-იდან ტ. იკვლევდა მაღალი სიხშირისა (მს) და მაღალი ძაბვის დენს; გამოიგონა მს ელექტრომექან. გენერატორების პირველი ნიმუშები და მაღალი სიხშირის ტრანსფორმატორი (*ტესლას ტრანსფორმატორი*, 1891), რითაც საფუძველი ჩაუყარა ელექტროტექ. ახ. დარგს — მს ტექნიკას. ტ-ს ნაშრომებმა სიგნალების უმავთულო გადაცემის დარგში (1896—1904) მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რადიოტექ. განვითარებაზე. ამავე წლებში ტ-მ შექმნა რამდენიმე რადიომართვადი თვითმავალი მექანიზმი (მ. შ. გემის მოდელი, 1898), რ-ებსაც „ტელეავტომატები" ეწოდა. 1900 შემდეგ მიიღო მრავალი პატენტი სხვადასხვა გამოგონებაზე. 1917 წამოაყენა წყალქვეშა ნავების რადიოგამომფენავნების მოწყობილობის მოქმედების პრინციპი.

თხზ.: Lectures· Patents· Articles, Beograd, 1956.

ტესლა, *მაგნიტური ინდუქციის* ნაკადის ერთეული *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში* (SI); უდრის მაგნიტურ ინდუქციას, რ-ის დროსაც მაგნიტური ნაკადი 1 $მ^2$ განივკვეთის ფართობში 1 *ვებერის* ტოლია. ქართ. ხღნიშვნაა ტლ, საერთაშ. — T. სახელწ. მიიღო ნ. *ტესლას* პატივსაცემად. 1 *ტლ*=10^4 *გაუსს.*

ტესლას ტრანსფორმატორი, ელექტრული ტრანსფორმატორული მოწყობილობა, რ-შიც შედის უგულარო *ტრანსფორმატორი, განმმუხტველი* და ელექტრული *კონდენსატორი.* ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილი წარმოადგენს სქელი სპილენძის მავთულისაგან დამზადებული სპირალის რამდენიმე ხვიას, მეორეული გრაგნილი შედგება წვრილი იზოლირებული სპილენძის დიდი რაოდენობის მავთულის ხვიებისაგან; გამოიგონა ნ. *ტესლამ* (1891). რადიოტექ. განვითარების საწყის პერიოდში იყენებდნენ რადიოსადგურებში მაღალი სიხშირის რხევათა წყაროდ, შემდგომ კი — სადემონსტრაციო მიზნით.

ტესტი (ინგლ. test — მოსინჯვა, შემოწმება, გამოკვლევა) ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა ს ა და პ ე დ ა გ ო გ ი კ ა შ ი, სტანდარტიზებული დავალება, რ-ის შესრულების შედეგი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს გამოსაცდელი პირის ფსიქოფიზიოლოგიური და პიროვნული მახასიათებლები, შემოწმდეს მისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ტ-ების პრაქტ. გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ადამიანის პიროვნულ და სხვა მახასიათებელთა დიაგნოსტიკასთან. ეს მახასიათებლები რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოისახება.

ტ-ების გამოყენება დაიწყო XIX ს. II ნახევრიდან. საფუძვლები დაამუშავა ინგლ. ფსიქოლოგმა ფ. გალტონმა (1883). ტერმ. „ტ." შემოიღო ამერ. ფსიქოლოგმა ჯ. კეტელმა (1890). მის მიერ დამუშავებული ტ-ების სერია ზომავდა მარტივ ფსიქოფიზ. მახასიათებლებს. ფრანგმა ფსიქოლოგმა ა. ბინემ ტესტოლოგიური გამოკვლევის პრინციპები გაავრცელა მაღალ ფსიქ. ფუნქციებზე. მისი ტ-ების სერიაში (1891) შედიოდა ისეთი დავალებები, რ-ებიც ამოწმებდნენ მეხსიერებას, წარმოსახვას, ყურადღებას და სხვ. მანვე ტ. სიმონთან ერთად დაამუშავა გონებრივი უნარის გაზომვის ტ-ები, რ-ებიც ცნობილია ბინე-სიმონის ტ-ების სახელწოდებით. გერმ. ფსიქოლოგმა ვ. შტერნმა შემოიღო ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ უ ა ლ ო ბ ი ს კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი (1911), ხოლო ამერ. ფსიქოლოგმა ე. თორნდაიკმა — პედ. მიზნებისათვის პირველი სტანდარტიზებული ტ.

საბჭ. კავშირში ტ-ები პირველად გამოიყენეს 1920-იან წლებში. 1926 გამოქვეყნდა ტ-ების პირველი სერია სკოლებისათვის. ამჟამად სრკ-ში ტ-ებს იყენებენ

პროფშერჩევისათვის, ფსიქოპათოლ. დიაგნოსტირებისათვის, ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობების დასადგენად, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად.

ლიტ.: Бине А., Симон Т., Методы измерения умственной одаренности, пер. [с франц.], [Х.],1923; Психологическая диагностика. Сб., под ред. К. М. Гуревича, М., 1981; Саймон Б., Английская школа и интеллектуальные тесты, [пер. с англ.], М., 1958; Татурова И. А., Из истории развития тестов в СССР и за рубежом, Таганрог, 1969.

გ. მჭედლიშვილი.

ტესტოლოგია, მოძღვრება ტესტების შესახებ, რ-იც სწავლობს ტესტების შედგენის თეორიულ საფუძვლებს, ამუშავებს პრაქტიკაში მათი დანერგვის მეთოდებს და ადგენს მიღებული შედეგების საიმედოობის კრიტერიუმებს.

ტესტების სისტემა ემორჩილება ერთიან სქემას, რ-ის მოთხოვნები არ არის დამოკიდებული კონკრ. ფსიქოლ. მიმართულებებზე. ყოველი ფსიქოლ. ექსპერიმენტი შეიძლება გარდაიქმნას ტესტების სისტემით, თუკი იგი შესწორებულია მრავალ ადამიანზე.

ტესტოსტერონი (ლათ. testis — მამაკაცის სათესლე ჯირკვალი, მამაკაცური ძალა და ბერძნ. stereoō — ვაძლიერებ, ვამაგრებ), მამაკაცის ჩირითადი სასქესო ჰორმონი, *სტეროიდი.* ორგ. გამხსნელებში ხსნადი კრისტალებია. წარმოიქმნება სათესლეებში, აგრეთვე თირკმელზედა ჯირკვალში, პლაცენტასა და ღვიძლში, სინოზის შუალედი პროდუქტებია *ქოლესტერინი* და *პროგესტერონი.* ტ. ხელს უწყობს მამაკაცის სასქესო ორგანოებისა და *ბეორეული სასქესო ნიშნების* განვითარებას, ნაყოფადმყოფობის პერიოდში კი — სასქესო ორგანოებისა და სხეულის სხვადასხვა სტრუქტურის დიფერენცირებას. მამაკაცის სისხლში ტ-ის ნორმაა 0,5—0,6 *მკგ*/100 *მლ*, ქალის სისხლში კი — 0,12 *მკგ*/100 *მლ.*

ტ-ს მედიცინაში იყენებენ მამაკაცის სასქესო ჯირკვლების ფუნქციის უკმარისობის, აგრეთვე ქალების კლიმაქტერიული მოშლილობისა და ზოგიერთი სახის სიმსივნის მკურნალობის დროს. ტ-ის ხანგრძლივად ხმარება იწვევს გონადოტროპული ჰორმონის სეკრეციის ბლოკირებას და ორგუნავს სქესიდერივ სფეროს. სამედ. პრაქტიკაში იხმარება ტ-ის მაღალაქტიური სინთეზური ანალოგები (ტესტოსტერონპროპიონატი, მეთილტესტოსტერონი და სხვ.).

ტეტანია (<ბერძნ. teanos — გაშეშება, დაძაბვა, კრუნჩხვა), კუნჩხვის შეტევა, რ-საც იწვევს ორგანიზმში კალციუმის მარილების ნაკლებობა. ვითარდება ფარისებრახლო ჯირკვლების ფუნქციის შესუსტების ან სრული დათრგუნვის დროს (ჯირკვლების ოპერაციულად მოცილება, ანთება და სხვ.), აგრეთვე სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვისას (ხანგრძლივი და ძლიერი პირღებინება, ფაღარათი). ტ-ის ძირითადი გამოვლენაა კუნთების სხვადასხვა ლოკალიზაციისა და ხანგრძლივობის ტონური კრუნჩხვები; მამოძრავებელი და მგრძნობიარე ნერვებს ელექტრომექან. აგზნებადობის მომატება ვეგეტატიური ნერვული სისტემის მიმეტებული აგზნებადობა, რაც იწვევს შინაგანი ორგანოების ფუნქციების დარღვევას და სხვ. შეტევის დროს შესაძლებელია ეცარი სიკვდილი *ასფიქსიის* ან გულის გჩერების შედეგად. მკურნალობა: ფარისებრახლო ჯირკვლების ჰორმონისა და კალციუმის მარილების შეყვანა ორგანიზმში; იხ. აგრეთვე *პარათირეოიდული ჰორმონი, სპაზმოფილია.*

ტეტანუსი (ლათ. teanus<ბერძნ. tetanos — გაშეშება, დაძაბვა, კრუნჩხვა), გაშეშება, ადამიანისა და ცხოველის მწვავე ინფექციური დაავადება, რ-საც ახასიათებს ნერვული სისტემის დაზიანება, კრუნჩხვები და ლეტალობის მაღალი დონე. ტ-ს იწვევს ანაერობი Clostridium tetani, რ-ის სპორები გარემოში წლების მანძილზე ძლებს. ნაიდაგში ხვდება ცხოველების (ზოგჯერ ადამიანის) განავალთან ერთად ნაწლავებიდან, სადაც პარაზიტობს, მაგრამ არ იწვევს დაავადებას. ადამიანი ავადდება ჭრილობაში ტ-ის გამომწვევი სპორების მოხვედრის (უმეტესად მიწასთან ერთად) შედეგად, თუ ამავე დროს ჭრილობაში არსებობს დანეკროზებული ქსოვილები (ანაერობული პირობები). ტ. ხშირია ომის დროს. მშვიდობიან პერიოდში ტ-ის მიზეზი ჩვეულებრივ შეიძლება გახდეს პატარა საყოფაცხოვრებო (მაგ., ჟანშიშველა სიარულის დროს) და სას.-სამ. ტრავმა, უფრო იშვიათად — დამწვრობა, მოყინვა და სხვ. ჭრილობაში გამოყოფილი შხამი შეიწოვება სისხლისა და ნერვული ბოჭკოებით, მთელ ორგანიზმში ვრცელდება და აზიანებს ნერვულ სისტემას.

ინკუბაციური პერიოდი 3—30 დღე გრძელდება და რაც უფრო ხანმოკლეა იგი, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება. პროდრომულ პერიოდში აღინიშნება ტკივილი ჭრილობის არეში, ოფლიანობა, რასაც მოჰყვება ჩონჩხის კუნთების ტონურ-კლონური კრუნჩხვები. ტ-ის პირველი ნიშანია ყაღეჩი კუნთების *ტრიზმი* (კრიჭის შეკვრა) და მიმიკური კუნთების კრუნჩხვა — ე. წ. „სარდონიკული ღიმილი". კრუნჩხვები გადადის კისრის, ზურგის, გულმკერდისა და მუცლის კუნთებზე. ავადმყოფს თავი უკან აქვს გადაგდებული, წელი შეზნექილი, საწოლს კეფით და ქუსლებით ეყრდნობა (ოპისტოტონუსი). კრუნჩხვები დროდადრო მეორდება, რასაც შეიძლება მოჰყვეს კუნთების გაგლეჯა, ძვლების მოტეხილობა; ცნობიერება შენარჩუნებულია, ტემპ-რა ხშირად ნორმალური რჩება, სისხლში მატულობს ლეკოციტები. სასუნთქი კუნთების, დიაფრაგმისა და ყიის კუნთების კრუნჩხვების გამო ავადმყოფი შეიძლება მოიხრჩოს. არსებობს ტ-ის ელვისებური ფორმაც.

მკურნალობა: ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს რეანიმაციულ განყ-ბაში; კრუნჩხვის საწინააღმდეგო ღონისძიებები; ანტიტეტანური შრატი (გამაგლობულინი) დიდი დოზით; მართვითი სუნთქვა. პროფილაქტიკა: გეგმიური აქტიური იმუნიზაცია: ბავშვებს უცრიან კომბინირებული ვაქცინით, მოზრდილებს — ადსორბირებული ანატოქსინით. ტრამვის დროს აქტიურ-პასიური პროფილაქტიკა შრატით და ანატოქსინით.

ლიტ.: Руководство по инфекционным болезням, под ред. В. И. Покровского и К. М. Лобана, М., 1977. *ე. ბოცვაძე.*

ტ. ცხოველებში. ავადდება ცხენი, მსხვ. რქ. საქონელი, ღორი, ძაღლი, კატა, ფრინველი. ცხოველი ავადდება ჭრილობაში ნიადაგსა და ნაკელთან ერთად ტ-ის მიკრობის სპორების მოხვედრის შედეგად. ინკუბაციის პერიოდი 1—3 კვირას გრძელდება. დაავადებისათვის დამახასიათებელია სხეულის კუნთების კრუნჩხვა, მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა. მკურნალობა: ტ-ის საწინააღმდეგო შრატი, ქლორალჰიდრატი, ამინაზინი. პროფილაქტიკა: ჭრილობის დროულად მკურნალობა, ზვედისა და კასტრაციის დროს ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების დაცვა და სხვ.

ტეტანუსი ფიზიოლოგიაში, კუნთის ხანგრძლივი შეკუმშვა, რაც განპირობებულია კუნთზე მცირე ინტერვალის მქონე ნერვულ იმპულსთა წყების გარკვეული თანამიმდევრობით მოქმედებით. იზოლირებული კუნთის ერთხელობრივი გაღიზიანებისას კუნთი ჯერ ოდნავ დუნდება და შემდეგ იკუმშება, რასაც კვლავ მოდუნება მოჰყვება, ამასთან, დამოკლებისა და მოდუნების ფაზები დაახლ. თანაბარი ხანგრძლივობისაა. ასეთ შეკუმშვა-მოდუნებას ერთხელობრივი შეკუმშვა ეწოდება. თუ კუნთზე ვიმოქმედებთ არა ერთი, არამედ ორი ერთხელობრივი გაღიზიანებით, მაშინ ალირიცხება ორი განცალკევებული ერთხელობრივი შეკუმშვა. თუ გაღიზიანების ინტერვალს შევამცირებთ, მაშინ მეორე გაღიზიანება კუნთზე იმოქმედებს პირველი გაღიზიანებით გამოწვეული ეფექტის მოდუნების ფაზის დროს, რის გამოც მიოგრამაზე ორი ეფექტის არასრული შერწყმის გამო ორი მწვერვალი აღინიშნება (კალო გ ა ნ ი ტ.). თუ გაღიზიანებათა შუა ინტერვალი იმდენად მცირეა, რომ მეორე გაღიზიანება კუნთზე მოქმედებს პირველი გაღიზიანებით გამოწვეული შეკუმშვის ბოლო პერიოდში და მეორე ეფექტი პირდაპირ აგრძელებს პირველის ეფექტს, მოხდება პირველი და მეორე ეფექტის სრული შერწყმა (სრ უ ლ ი ტ.).


ტ-ის შეკუმშვის ამპლიტუდა დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ კუნთის აგზნების რომელ ფაზაზე მოდის ყოველი მომდევნო შეკუმშვა. იგი ყველაზე მაღალია მაშინ, როდესაც ყოველი მომდევნო გაღიზიანება მოქმედებს კუნთებზე მისი აღმატებული აგზნებადობის პერიოდში.

ამგვარად, კუნთს აქვს უნარი შეაჯამოს ერთიმეორის მომდევნო პროცესები, რ-ებიც საფუძვლად უდევს თანამიმდევრული შეკუმშვის აქტებს. სუპერპოზიციის ამ თვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სამოძრაო რეაქციაში. იხ. სტატიები *აგზნება* და *კუნთის შეკუმშვა.* ა. *ბაკურაძე.*

ტეტმაიერი, შ ე რ ვ ა-ტ ე ტ მ ა ი ე რ ი (Przerwa Tetmajer) კაზიმეჟ (12. II. 1865, ლუძმეჟი, პოდჰალე, — 18. I. 1940, ვარშავა), პოლონელი მწერალი. დაამთავრა იაგელოს უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტი (1889), 1886 გამოაქვეყნა ნოველა „რეკრუტი", 1891 — პირველი ლექსთა წიგნი. ტ. „*ახალგაზრდა პოლონეთის*" ყველაზე პოპულარული წარმომადგენელი გახდა 1894 გამოქვეყნებული ლექსთა კრებულით. მნიშვნელოვანია ტ-ის მოთხრობათა კრებ. „კლდოვან პოდჰალეზე" (1903—10), რ-შიც გამოყენებულია ფოლკლორული მოტივები და პოდჰალეს დიალექტი. ეკუთვნის ისტ. რომანი „ტატრების ლეგენდა" (ტ. 1—2, 1910—11), აგრეთვე რომანი „ეპოპეის დასასრული" (ტ. 1—4, 1913—17, რ-შიც მწერალმა ასახა თავისი კრიტ. დამოკიდებულება პოლონეთში ნაპოლეონ I-ის კულტისადმი.

ტეტრა..., ტ ე ტ რ... (ბერძნ. tetra — ოთხი), რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ოთხს, მაგ., ტეტრაედრი, ტეტრალოგია.

ტეტრაედრი (ბერძნ. tetraedron<tetra— ოთხი და hedra—ფუძე, წახნაგი), წესიერი *მრავალწახნაგების* 5 ტიპიდან ერთ-ერთი (ნახ.). აქვს 4 წახნაგი (სამკუთხა), 6 წიბო, 4 წვერო (ყოველ წვეროში თავს იყრის სამი წიბო). თუ a ტ-ის წიბოს სიგრძეა, მაშინ მისი მოცულობა $V=a^3\sqrt{2}/12\approx$ $\approx 0{,}1179a^3$. ტ. წარმოადგენს წესიერ სამკუთხა *პირამიდას.*




ტეტრაედრი.


ზოგჯერ ტ-ს უწოდებენ ნებისმიერ სამკუთხა პირამიდას.

ტეტრაკოქები, იხ. *ბაქტერიები.*

ტეტრაკონქი (*ტეტრა...* და *კონქი*), ოთხაფსიდიანი ცენტრული ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა, რ-შიც ნახევრად წრიული აფსიდების გარდა ოთხი ტოლი ნახევარწრიული ნიშია. ტ. ფართოდ გავრცელდა VI ს. გეგმა.



ტეტრაკონქი. მცირე გავა.



ტეტრალინი.

ული აფსიდები სიმეტრიულ-ჯვრისებრ არის განლაგებული ცენტრალური (ჩვეულებრივ, გუმბათქვეშა) სივრცის ირგვლივ. ტ. გავრცელებული იყო ადრინდ. ქრისტ. არქიტექტურაში (VI ს.), განსაკუთრებით კი — საქართველოსა და სომხეთში (ავანი, რიფსიმეს ეკლესია, ზვართნოცი). საქართვ. ტ-ს უპირატესად VI—VII სს-ში აშენებდნენ: ძვ. გავაზის (*ახალსოფლი*), *მანგლისის*, თბილისის *ქაშვეთის*, *ნინოწმინდის* ეკლესიები, მცხეთის ჯვრისა და *ბანის* ტიპის ტაძრები/

ტეტრალინი, 1, 2, 3, 4-ტეტრაჰიდრონაფთალინი, $C_{10}H_{12}$, უფერული სითხე, აქვს *ნაფთალინის* სუნი; $t_{დნ}$ — 35,79°C, $t_{დუღ}$ 207,6°C, სიმკვრივე 970 *კგ/მ*³ (20°C), წყალში უხსნარია, იხსნება ორგ. გამხსნელებში; ღებულობენ ნაფთალინის კატალიზური ჰიდრირებით. ტ-ს იყენებენ გამხსნელად ლაქ-საღებავების მრეწველობაში, როგორც ძრავას საწვავის დანამატს და სხვ.

ტეტრალოგია (ბერძნ. tetralogia), ოთხი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რ-ებსაც ერთი დედააზრი აერთიანებს. ტეტრალოგიურ ქმნილებათა ნიმუშები ძვ. ბერძნებთან გვხვდება. ტ. შეიცავდა სამ ტრაგედიასა და ერთ სატირიკულ დრამას. შემდეგ ტ. სხვა ჟანრის ნაწარმოებებშიც გავრცელდა. ქართ. ლიტრაში ტ-ის ნიმუშია კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი".


ტეტრანიტრომეთანი, $C(NO_2)_4$, მკვეთრი სუნის მქონე უფერული მოძრავი სითხე; $t_{დნ}$ 14,2°C, $t_{დუღ}$ 125,78°C, სიმკვრივე 1640 *კგ/მ*³, უხსნარია წყალსა და გოგირდმჟავაში, იხსნება აზოტმჟავაში. ტ. სუსტი ფეთქებადი ნივთიერებაა, ენერგიული მჟანგავია; ტ-ს ღებულობენ აცეტილენის დესტრუქციული ნიტრირით აზოტმჟავას გარემოში. იყენებენ მჟანგავად თხევად ფეთქებად ნარევში და სხვ.

ტეტრანიძისებრნი, იგივეა, რაც აბლაბუდატკიპასებრნი.

ტეტრაპოდია (*ტეტრა*... და ბერძნ. pus, ნათ. ბრ. podos—ტერფი), ანტიკურ (ძვ. ბერძნულ, კვანტიტატიურ) და სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში, მეტრული სქემის თვალსაზრისით, ოთხტერფიანობა. მაგ.: მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე. (გ. ტაბიძე).

სქემა: ⊥∪∪/⊥∪∪||⊥∪∪/∪∪

რ. ბერიძე.



ტეტროდი. ნახ. 1. ტეტროდის სქემა: 1—ანოდი; 2—მაეკრანებელი ბადე; 3—მმართველი ბადე; 4—კათოდი; ნ—კათოდის შემთბობი.

ტეტრაფთორეთილენი, აერფთორეთილენი, $CF_2=CF_2$, უფერული და უსუნო აირი, წყალში უხსნარია, ორგ. გამხსნელებში კი ხსნადი; $t_{დნ}$ — 142,6°C, $t_{დუღ}$ — 76,3°C, სიმკვრივე 1519 *კგ/მ*³, აქვს ფთოროლეფინების დამახასიათებელი თვისებები. ჰაერთან წარმოქმნის აფეთქებასაფრთხიან ნარევს. ტ. სუსტი ტოქსიკური ნივთიერებაა. ღებულობენ დიფთორქლორმეთანის CF_2ClH პიროლიზით 650—800°C ტემპ-რისა და ატმ. წნევის დროს. იყენებენ პოლიტეტრაფთორეთილენის მისაღებად. ზოგიერთი ტ-ის თანაპოლიმერები ელასტომერებია.

ტეტრაძორდი (*ტეტრა*... და ბერძნ. chordē—სიმი), მუსიკაში, ოთხსაფეხურიანი ბგერათრიგი კვარტის ფარგლებში. ტ. წარმოადგენდა ძვ. ბერძნ. მუსიკის კილოსა და მთელი ბგერათრიგის საფუძველს (იხ. *ძველი ბერძნული კილოები*). დიატონური ტ-ების და შესაბამისი კილოების ძვ. ბერძნ. სახელწოდებანი შემონახულია თანამედროვე მუს. თეორიაში, თუმცა ისინი განეკუთვნება განსხვავებული ინტერვალური შემადგენლობის კილოებს (იხ. *შუასაუკუნეების კილოები*).

ტეტრაციკლინები, ქიმიური სტრუქტურითა და ბიოლოგიური აქტივობით მსგავსი ბუნებრივი და ნახევრად სინთეზური *ანტიბიოტიკების* ჯგუფი. ქიმ. სტრუქტურის მიხედვით, ტ. ოთხბირთვიანი კონდენსირებული სისტემაა, რ-საც აქვს სხვადასხვა შემცვლელი. ბუნებრივი ტ. — ოქსიტეტრაციკლინი (ტერამიცინი), ქლორტეტრაციკლინი (აურეომიცინი) და ტეტრაციკლინი — აღმოჩენილი და გამოყოფილია XX ს. 40—50-იან წლებში აქტინომიცეტების (Actinomices rimosis, A. aurofaciens და სხვ.) ცხოველმოქმედების პროდუქტებიდან. სამედ. პრაქტიკაში იყენებენ აგრეთვე ბუნებრივი ტ-ის ქიმ. მოდიფიკაციების შედეგად მიღებულ პრეპარატებს — რეევრინს, მორფოციკლინს, გლიკოციკლინს და ტ-ის ნახევრად სინთეზურ წარმოებულებს—მეტაციკლინს (რონდომიცინი), დოქსიციკლინს (ვიბრამიცინი), მონოციკლინს და სხვ.

ტ-ს აქვთ ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრი; ისინი თრგუნავენ გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების, სპიროქეტების, ლეპტოსპირების, რიკეტსიების, მიკოპლაზმების, ზოგიერთი უმარტივესის (ამება, ტრიქომონადა) და დიდი ვირუსების ზრდას. ნაკლებად აქტიური არიან პროთეის, ტუბერკულოზის ჩხირის, სოკოებისა და მცირე ვირუსების უმრავლესობისადმი. ტ-ის ბაქტერიოსტატიკური მოქმედება განპირობებულია ბაქტერიულ უჯრედში ცილის ბიოსინთეზის დათრგუნვით. ტ-ის მიმართ მდგრადი შტამების გავრცელების თავიდან ასაცილებლად იყენებენ ტ-ისა და ანტიმიკრობული მოქმედების სხვა მექანიზმების მქონე ანტიბიოტიკების კომბინირებულ პრეპარატებს (მაგ., ტ. ოლეანდომიცინთან ერთად). ტ-ს იყენებენ სუნთქვის ორგანოების, კანის ნაწყლავის ტრაქტის, შარდისა და ნაღვლის გამომტანი გზების, რბილი ქსოვილების ინფექციების, პარტახტიანი ტიფისა და სხვა ისეთი დაავადებების დროს, რ-ებიც გამოწვეულია ტ-ის მიმართ მგრძნობიარე მიკროორგანიზმებით.

ტეტრილი, 2, 4, 6-ტრინიტროფენილმეთილნიტრამინი, $(NO_2)_3C_6H_2N(NO_2)CH_3$, თეთრი კრისტალები, სინათლეზე ყვითლდება; $t_{დნ}$ 129,5°C, სიმკვრივე 1730 *კგ/მ*³; წყალში უხსნარია, ბენზინში, აცეტონსა და დიქლორეთანში კარგად იხსნება. ტ. ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერებაა.

ტეტროდი [*ტეტრა*... და (*ელექტრო*)დი], 4-ელექტროდიანი *ელექტრონული მილაკი*, რ-საც აქვს თერმოელექტრონული კათოდი (უშუალო ან არაუშუალო ვარვარისა), 2 ბადე და ანოდი. ტ-ს იყენებენ რამდენიმე ათეული *მეგაჰც* სიხშირის *მიმღებ-მაძლიერებელ ელექტრონულ მილაკად* ან *გენერატორულ ელექტრონმილაკად*. კათოდის უახლოესი ბადე არის მმართველი, მომდევნო კი — მაეკრანებელი (ნახ. 1). ტ. შექმნა 1919 გერმ. მეცნ. ვ. შოტკიმ. იგი წარმოადგენს გაუმჯობესებულ *ტრიოდს*. ტ-ს აქვს მაეკრანებელი ბადე, რ-ის მეშვეობით მნიშვნელოვნად (~100-ჯერ) მცირდება ტევადობა ანოდსა და მმართველ ბადეს შორის (ე. წ. გამავალი ტევადობა), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალ სიხშირეებზე მუშაობისას, ამასთან ერთად უმჯობესდება ტ-ის ელექტრული პარამეტრები, კერძოდ, დიდდება ელექტრონმილაკის გაძლიერების კოეფიციენტი. დინატრონული ეფექტის (ელექტრონების ძირითადი ნაკადით ერთი ელექტროდიდან მეორეული ელექტრონების გამოტყორცნა და მათი გადატანა მეორეზე, უფრო მაღალი პოტენციალის მქონე ელექტროდზე) გამო მიმღებ-მაძლიერებელი ტ. პრაქტიკულად შეცვლილია სხივური ტ-ითა (ნახ. 2) და *პენტოდით*. სხივურ ტ-ში დინატრონული ეფექტის ჩახშობა ხდება სპეც. კონსტრუქციის ელექტროდებით. გენერატორულ ტ-ში ანოდის პოტენციალი გაცილებით მეტია მაეკრანებელი ბადის პოტენციალზე. მასში დინატრონული ეფექტი უმნიშვნელოა.

ტეტჩერი, თეჩერი (Thatcher) მარგარეტ ჰილდა (დ. 13. X. 1925), დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი 1979-იდან. განათლება ოქსფორდის უნ-ტში მიიღო. 1959 პირველად აირჩიეს პარლამენტის წევრად კონსერვატიული პარტიიდან. 1961—64 პენსიებისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს ს.პარლამენტო მდივანი. 1970—74 განათლებისა და მეცნ. მინისტრი ე. ჰითის მთავრობაში. 1975 თებ-იდან კონსერვატიული პარტიის ლიდერი.

ტეუანტეპეკი (Tehuantepec), ყურე წყნარ ოკეანეში. მექსიკის სამხრ. ნაპირთან, ტეუანტეპეკის ყელის რ-ნში. სიგრძე დაახლ. 110 *კმ*, სიგანე შესასვლელთან დაახლ. 450 *კმ*, მაქს. სიღრმე 200 *მ*. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 2,6 *მ*. მთავარი ნავსადგურია სალინა-კრუსი.

ტეფი, სოფელი ყაზბეგის რ-ნში (კობის სოფსაბჭო), მდ. თერგის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 2320 *მ*, ყაზბეგიდან 44,5 *კმ* კობის სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ჯანობში (28 *კმ*).

ტეფლონი, პოლიტეტრაფთორეთილენის (ფთორპლასტი-4) საკაჭრო სახელწოდება, გამოდის აშშ-ში;

ტექნეციუმი (Technetium), Tc, ელემენტთა პერიოდული სისტემის VII ჯგ. რადიოაქტიური ელემენტი, ატ. ნომერი 43, ატ. მასა 98,9062, $t_{დნ}$ 2140°C, $t_{დუღ}$ 4700°C, სიმკვრივე 11500 *კგ/მ*³, მოვერცხლისფრო-რუხი ფერის კომპაქტური ლითონი; ჭედადი და პლასტიკურია. ტ-ს სტაბილური იზოტოპები არა აქვს. რადიოაქტიური იზოტოპებიდან (დაახლ. 20) პრაქტ. მნიშვნელობისაა ორი: ^{99}Tc ($T_{1/2}$=2,12·10⁵*წ*) და ^{99m}Tc($T_{1/2}$=6,04 *სთ*). ელემენტის არსებობა იწინასწარმეტყველა დ. *მენდელეევმა*. ტ. აღმოაჩინეს 1937 იტალ. მეცნიერებმა ე. *სეგრემ* და კ. პერიემ მოლიბდენის ბირთვის დეიტრონებით დაბომბვისას. სახელწ. მიღებულია ბერძნ-იდან (technētos — ხელოვნური).

ქიმ. თვისებებით ტ. ემსგავსება მანგანუმსა და რენიუმს. ჟანგვის ხარისხი —1-იდან+7-მდეა.

ტ. ურთიერთქმედებს ჟანგბადთან და წარმოქმნის ჟანგეულებს (Tc_2O_7 და TcO_2). ჰალოგენებთან — ჰალოგენიდებს ($TcCl_6$, $TcCl_5$ და სხვ.), გოგირდთან სულფიდებს (Tc_2S_7 და TcS_2). ტ. წარმოქმნის აგრეთვე ტექნეციუმმჟავასა და მის მარილებს. ძაბვის მწკრივში ტ. დგას წყალბადის მარჯვნივ. იგი ადვილად იხსნება აზოტ- და გოგირდმჟავაში, თეზაფში, წყალბადის ზეჟანგსა და ბრომიან წყალში. ტ. მიიღება მისივე ნაერთების წყალბადით აღდგენისას 600—1000°C-ზე ან ელექტროლიზით. იყენებენ ტექნიკაში კატალიზატორად, მაღალ ტემპერატურულ და ზეგამტარ მასალად. ტ-ის ნაერთები კოროზიის ეფექტური ინჰიბიტორებია. ^{99m}Tc იყენებენ მედიცინაში γ-გამოსხივების წყაროდ.

ლიტ.: Спицын В. И., Кузина А. Ф., Технеций, М., 1981.

ტექნიკა (<ბერძნ. technē — ხელოვნება, ოსტატობა, უნარი) ადამიანის მოქმედების საშუალებათა ერთობლიობა წარმოების პროცესების განსახორციელებლად და საზოგადოების არასაწარმოო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ტ-ში მატერიალიზებულია საზ. წარმოების პროცესში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება.

ტ-ის ძირითადი დანიშნულებაა ადამიანის საწარმოო ფუნქციის ნაწილობრივი ან სრული შეცვლა შრომის გაადვილებისა და მისი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით. ზოგჯერ „ტ-ს" უწოდებენ ილეთებსა და ხერხებს ადამიანის რაიმე საქმიანობაში (საქმის წარმოების ტ., ფორტეპიანოზე დაკვრის ტ., ცეკვის ტ., სპორტ. ტ. და სხვ.). ტ. საშუალებას იძლევა საზ. მოთხოვნილების შესაბამისად გარდაქმნათ ბუნება. წარმოების განვითარების შესაბამისად ტ. ცვლის ადამიანს იმ ტექნოლ. ფუნქციების შესრულებაში, რ-ებიც დაკავშირებულია ფიზ. და გონებრივ შრო-

მასთან. ტ-ს იყენებენ შრომის საგნებზე ზემოქმედებისათვის მატერ. და კულტ. ფასეულობის შექმნის დროს, ენერგიის მისაღებად, გადასაცემად და გარდასაქმნელად, სზ-ბისა და ბუნების განვითარების კანონების შესასწავლად, კავშირგაბმულობისათვის, ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვისათვის, გადამუშავებისა და გადაცემისათვის, სზ-ბის სამართავად, ყოფაცხოვრებაში, ომისა და თავდაცვისათვის.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტ. არის საწარმოო, სამხ., საყოფაცხოვრებო, სამედ., სამეცნ.-კვლ., განათლების, კულტურისა და სხვ. ტ-ის საშუალებათა ძირითადი ნაწილია საწარმოო ტ., რ-საც მიეკუთვნება მანქანა-მექანიზმები, იარაღები, მანქანებისა და ტექნოლ. პროცესების მართვის აპარატურა, სამრეწვ. შენობა-ნაგებობები, კომუნიკაციები და ა. შ. ტ-ის კლასიფიკაციას ახდენენ წარმოების დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით (მაგ., მრეწვ. ტ., სოფლის მეურნ. ტ. და სხვ.) ან წარმოების სტრუქტურული ქვედანაყოფის მიხედვით (მაგ., საავიაციო ტ., სამელიორაციო ტ., ენერგეტ. და სხვ.), ზოგჯერ კი ს.ბ-ბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგების მიხედვითაც (მაგ., ბირთვული ტ., სამაცივრო ტ., გამოთვლითი ტ. და სხვ.). ტ-ის განვითარება *სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის* ძირითადი პირობაა. თანამედროვე ტ-ის უმნიშვნელოვანესი მიღწევები ეყრდნობა ბუნებისმეტყველების ფუნდამენტურ აღმოჩენებს.

ტ-ის განვითარება გულისხმობს ახ. მანქანების, დანადგარების, ხელსაწყოების შექმნასა და არსებულის გაუმჯობესებას, წარმოების ტექ. დონის ამაღლებას, ტექნოლ. პროცესების კომპლ. მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ახ. მასალების, სათბობისა და ენერგიის გარდამქმნელების შექმნას, უფრო სრულყოფილი ნაკეთობის წარმოებას, მათი ტექ.-ეკონ. პარამეტრების გაუმჯობესებას. ტ-ის ძირითადი მაჩვენებლებია მისი მწარმოებლურობა, საიმედოობა და ექსპლუატაციის ეკონომიურობა.

ტ-ის **მწარმოებლურობა** განისაზღვრება დროის ერთეულში დამზადებული (ან დამუშავებული, გადაზიდული და ა. შ.) პროდუქციის რაოდენობით. ტ-ის (ტ-ის საშუალებათა) **საიმედოობა** ხასიათდება მისი უნარით მოგვცეს მტყუნების გარეშე საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქცია. ტ-ის საშუალებათა **ექსპლუატაციის ეკონომიურობა** განისაზღვრება მოხმარებული ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ენერგიის რაოდენობით, აგრეთვე დამზმარე მოწყობილობის ღირებულებით.

ტ-ის მწარმოებლურობის, საიმედოობისა და ექსპლუატაციის ეკონომიურობის ამაღლება შეიძლება მისი **მოდერნიზაციით**. მოცემული საწარმოო მაჩვენებლების უზრუნველყოფის გარდა თანამედროვე ტ. უნდა აკმაყოფილებდეს *ეკონომიკის, ტექნიკური ესთეტიკის* და *ეკოლოგიის* მოთხოვნებს. ტ. ვითარდება სამეცნ. მიღწევების საფუძველზე. იგი მეცნიერების წინაშე აყენებს ახ. ამოცანებს, აუმჯობესებს სამეცნ. საქმიანობის საშუალებებს. მისი განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია სზ. წარმოების სისტემასა და სოც.-ეკონ. პირობებთან. ტ-ის განვითარების უდიდეს საშუალებას იძლევა წარმოების კომუნისტური წესი, რ-ის დროსაც ყველა სამეცნ.-ტექ. მიღწევა ხმარდება საწარმოო ძალთა განვითარებას, სზ.-ბის მატერ. და კულტ. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ლიტ.: История техники, М., 1962; Мелещенко Ю. С., Техника и закономерности ее развития, Л., 1970; Партия и современная научно-техническая революция в СССР, М., 1974; Шухардин С. В., Основы истории техники, М., 1961.

ტექნიკუმი, სსრკ-სა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულების ძირითადი ტიპი, სადაც იღებენ საშ. სპეც. განათლებას მრეწვ., სოფ. მეურნ., მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სხვადასხვა დარგში. 1984 სსრკ-ში იყო 4 ათზე მეტი ტ., საქართველოში — 51 (იხ. ტ. *საქართველოს სსრ*, თავი სახალხო განათლება).

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მაჩვენებელთა სისტემა, რ-იც ახასიათებს საწარმოს (გაერთიანების) საწარმოო-მატერიალურ ბაზასა და რესურსების კომპლექსურ გამოყენებას. ტ.-ე. მ. ორი სახისაა: საერთო-სახ. მეურნ. ყველა (ან მრავალ) დარგში გამოსაყენებელი და სპეციფ. (დარგობრივი). საერთო ტ.-ე. მ-ს მიეკუთვნება: წარმოების კომპლ. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის, შრომის მექანიზაციისა და ავტომ. დონის მახასიათებლები; შრომის ტექ. შეიარაღების გადიდების შედეგად მომუშავეთა რიცხვის შემცირების მაჩვენებელი; წარმოების ტექ. დონის ამაღლების საფუძველზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მაჩვენებელი; ხარისხის კატეგორიების მიხედვით გამოშვებულ ნაკეთობათა რაოდენობისა და ხვ. წ. მაჩვენებლები სასაქონლო ან წმინდა (ნორმატიული) პროდუქციის მთელ მოცულობაში; წარმოების ტექ. და ენერგეტ. შეიარაღების, სპეციალიზაციის, კომბინირებისა და კონცენტრაციის დონის, რესურსების (მაგ., მოწყობილობის) გამოყენების მახასიათებლები და სხვ.

სპეციფ. (დარგობრივი) ტ.-ე. მ. ცალკეულ დარგებში წარმოების ტექნოლ. და ორგანიზაციის თავისებურებებს გამოხატავს. მაგ., ენერგეტიკაში გამოიყენება *კეტ. სთ* (ელექტროენერგიის წარმოებაზე დახარჯული პირობითი სათბობის რაოდენობა), შავ მეტალურგიაში—მარტენის ღუმელის ქვედის ერთ $მ^2$-იდან დღეღამეში მიღებული ფოლადის რაოდენობა, ხოლო საფეიქრო მრეწველობის საქსოვ წარმოებაში — ერთ მანქანა—*სთ*-ში მიღებული ქსოვილის რაოდენობა და ა. შ; ტექ. მაჩვენებლები (მოწყობილობის მქკ, საიმედოობა, ხანგამძლეობა და სხვ.) ახასიათებს მხოლოდ რესურსების ტექ. დონეს ეკონ. მხარესთან მიმართების გარეშე, ხოლო ეკონ. მაჩვენებლები (მთლიანი და წმინდა პროდუქცია, მოგება, შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება და სხვ.) — წარმოების ზოგად ან კერძო შედეგს ტექ. მახასიათებლების გარეშე. ტ.-ე. მ. კონკრ. ფორმით გამოხატავს წარმოების ტექ. და ეკონ. მხარეების ურთიერთკავშირს.

გ. ლალაშვილი.

ტექნიკური ბიოქიმია, *ბიოქიმიის* ერთ-ერთი გამოყენებითი დარგი. შეისწავლის მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ქიმიურ შედგენილობას, მათი გადამუშავების პროცესში მიმდინარე ბიოქიმიურ გარდაქმნებს. ტ.ბ. სხვადასხვა ტექნოლ. რეჟიმის თეორ. საფუძველია, მოიცავს ხორბლისა და პურის, ნაყოფებისა და ბოსტნეულის, ჩაისა და ჩაის წარმოების, მეღვინეობის, ლუდის წარმოების, ყველის დამზადების, თამბაქოს შრობისა და ფერმენტაციის, ფერმენტული პრეპარატების, ვიტამინების მიღებისა და სხვა გამოყენებითი დარგების ბიოქიმიას. სსრკ-ში ტ. ბ. დამოუკიდებელ მეცნ. დისციპლინად ჩამოაყალიბა ა. *ოპარინმა*. საერთაშ. აღიარება პოვა ქართვ. ბიოქიმიკოსების (ს. *დურმიშიძისა* და მ. *ბოკურაძის*) ფუძემდებლურმა შრომებმა ვაზისა და მეღვინეობის, ჩაის წარმოების ბიოქიმ. დარგში.


ლიტ.: Бокучава М. А., Биохимия чая и чайного производства, М., 1958; Дурмишидзе С. В., Дубильные вещества и антоцианы виноградной лозы и вина, М., 1955; Ботозо, Развитие биохимии растений в Грузии, «Вестн. биологии сер.», 1983, т. 9, № 1; Техническая биохимия, под ред. В. Л. Кретовича, М., 1973. *ს. დურმიშიძე.*

ტექნიკური განათლება, წარმოების, შენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის ინჟინრებისა და ტექნიკოსების მომზადების სისტემა. სახ. მეურნეობისათვის კვალიფიც. მუშების მომზადება ხორციელდება *პროფესიულ-ტექნიკური განათლების* სისტემაში. ზოგად ტ. გ-ს იძლევა საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა *პოლიტექნიკური განათლების* პროცესში. სპეც. ტ. გ-ს იღებენ პოლიტექ. და ინდუსტრ. ინ-ტებში, ქარხან.-უმაღლეს ტექ. სასწავლებლებში, ზოგიერთი უნ-ტისა და ინ-ტის ტექ. ფაკ-ტებზე (საზღვარგარეთ არსებობს ტექ. უნ-ტებიც); უმაღლესი ტექ. სასწავლებლებსა და სკოლებში, უმაღლეს ტექ. სამხ. სასწავლებლებში (5—6-წლიანი სწავლება). სასწ. გეგმა ითვალისწინებს ზოგადსაგანმან. და სპეც., აგრეთვე საზ.-ეკონ. დისციპლინებს: სწავლების პირველი 2 (ან 3) წელი ეთმობა ზოგადსაგანმან. დისციპლინებს, შემდეგ იწყება სპეციალიზაცია. უფროს კურსებზე სტუდენტები ასრულებენ 3—5 (სამშენებლო და არქიტ. ფაკ-ტებზე — 6—9) საკურსო პროექტს, საწარმოებში, სასწ. სახელოსნოებსა და პოლიგონებზე გადიან საწარმოო პრაქტიკას, სწავლას ამთავრებენ სადიპლომო პროექტის (ან ნაშრომის) დაცვით და იღებენ სათანადო სპეციალობის ინჟინრის კვალიფიკაციას, რ-იც უტოლდება, მაგ., აშშ-ის, დიდი ბრიტ., იაპ. და სხვ. უმაღლეს ტექ. სასწავლებლებში მიღებულ *მაგისტრის* ხარისხს.

სამ. სპეც. სასწავლებლებში ამზადებენ მრავალი სპეციალობის (მაგრამ უფრო ვიწრო პროფილის, ვიდრე უმაღლეს სასწავლებლებში) ტექნიკოსებს, სწავლა 3—4-წლიანია, იწყება 8-წლიანი საშ. სკოლის ბაზაზე ან 1—2 წლიანია და იწყება სრული საშ. სკოლის ბაზაზე.

სსრკ-ში ტ.გ-ს წარმოებისაგან მოუწყვეტლად იღებენ საღამოს და დაუსწრებელი სწავლების უმაღლეს ან საშ. სპეც. სასწავლებლებში. სამეცნ. და სამეცნ.-პედ. კადრებს ამზადებს *ასპირანტურა* უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში. სპეციალისტებისათვის შექმნილია კვალიფიკაციის ამაღლების სპეც. სისტემა.

საქართველოში უმაღლეს ტ. გ-ს იღებენ ვ. ი. ლენინის სახ. *საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში*, ნ. მუსხელიშვილის სახ. *ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში*, საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის, სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის, ზოოტექ.-ვეტ. სასწ.-კვლ. ინ-ტის ზოგიერთ ფაკ-ტზე, აგრეთვე კავშირგაბმ. საკავშ. დაუსწრებელი ელექტროტექ. ინ-ტის საქართვ. ფილიალში, საშ. სპეც. ტ. გ-ს 30-ზე მეტ საშ. სპეც. სასწავლებელში. კვალიფიც. მუშების მომზადებას ემსახურება 150-მდე პროფტექ. სასწავლებელი (იხ. ტ. *საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა*).



ტეტროდი. ნახ. 2. ბეჭის ტიპის სხივური ტეტროდის მოწყობილობა. 1—სხივთწარმომქმნელი ფირფიტა; 2—კათოდი; 3—მმართველი ბადე; 4—მაკრანებელი ბადე; 5—ანოდი.

ქართველოს სსრ, თავი სახალხო განათლება).

სოციალ. ქვეყნებში ტ. გ-ს იღებს მთელი სტუდენტობის 40—50%. დიდი ცენტრები: ვარშავისა და პოზნანის პოლიტექ. ინ-ტები, დრეზდენისა და მაგდებურგის ტექ. ინ-ტები, პრაღის პოლიტექ. ინ-ტი და უმაღლესი ტექ. სკოლა კოშიცეში, ბუდაპეშტის, სოფიის, ბელგრადის პოლიტექ. ინ-ტები და სხვ.

, კაპიტალ. ქვეყნებში უმაღლესი ტ. გ., როგორც წესი, 2—3 ეტაპიანია და ორგანიზაციულად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. დიდი ცენტრებია: აშშ-ში — მასაჩუსეტსის (კემბრიჯი) კარნეგის (პიტსბურგი), ბრუკლინის, ვაშინგტონის ტექნოლ. ინ-ტები; დიდ ბრიტანეთში — კემბრიჯის, ბირმინგემის, მანჩესტერის, ედინბურგის, ლიდზის და სხვ. უნ-ტების ფაკ-ტები და კოლეჯები; საფრანგეთში — პარიზის, მარსელის, ლიონის, სტრასბურის უმაღლესი ტექ. სკოლები და ტექნოლ. ინ-ტები, ინდოეთში — ბომბეის, ქარაგპურის ტექნოლ. ინ-ტები და სხვ.

ტექნიკური დიაგნოსტიკა, ტექნიკური სისტემების მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნების დადგენა და შესწავლა ნორმიდან შესაძლო გადახრის (მ. შ. დასაშვებ ფარგლებს გარეთაც, რის გამოც ადგილი ექნება *მტყუნებას*) პროგნოზირებისათვის, აგრეთვე ამ სისტემების მდგომარეობის ექსპერ. დადგენის მეთოდებისა და საშუალებების დამუშავება მუშაობის ნორმალური რეჟიმის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ტ. დ.-ის მეთოდებს იყენებენ ნაკეთობის მუშაობის უნარის კონტროლის რაციონალური ორგანიზაციისათვის, ნაკეთობაში დაზიანების *ძებნისა* და პროგნოზირებისათვის. ტ. დ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ტექ. ობიექტების *საიმედოობის* უზრუნველსაყოფად.

ტექნიკური დოკუმენტაცია, ისეთი გრაფიკული და ტექსტიანი დოკუმენტების სისტემა, რ-ებსაც იყენებენ სამრეწველო ნაკეთობების (დეტალების, ასაწყობი ერთეულების, კომპლექსებისა და კომპლექტების) კონსტრუირების, დამზადებისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა დაპროექტების, აგებისა და ექსპლუატაციის დროს. სამრეწვ. ნაკეთობათა ტ. დ. განსაზღვრავს ნაკეთობის სახეს, მოწყობილობასა და შედგენილობას. იგი რეგლამენტირებულია საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთიანი სისტემითა (სდეს) და ტექნოლ. დოკუმენტაციის ერთიანი სისტემით (ტდეს). ორივე სისტემა შედის სსრკ სტანდარტიზაციის სახელმწ. სისტემაში (იხ. *სტანდარტი*). სდეს იმ სახელმწ. სტანდარტების კომპლექსია, რ-ებითაც დადგენილია წესები და დებულებები საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის დამუშავების, გაფორმების, კომპლექტაციისა და გამოყენების შესახებ.

საკონსტრუქტორო დოკუმენტების ძირითადი სახეობებია: დეტალებისათვის — დეტალის ნახაზი, ასაწყობი ერთეულებისათვის, კომპლექსებისა და კომპლექტებისათვის — *სპეციფიკაცია*. საკონსტრუქტორო დოკუმენტებს ეკუთვნის აგრეთვე სქემები, უწყისები, *ტექნიკური პირობები* და სხვ. ტდეს კი ისეთი სახელმწ. სტანდარტების კომპლექსია, რ-ებითაც დადგენილია წესები და დებულებები ტექნოლ. დოკუმენტაციის დამუშავების, გაფორმების, კომპლექტაციისა და გამოყენების შესახებ. ტექნოლ. დოკუმენტები განსაზღვრავს ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიას და მოიცავს წარმოების ორგანიზაციისათვის აუცილებელ მონაცემებს (სამარშრუტო და ოპერაც. რუკები, ესკიზებისა და სქემების რუკები, ტექნოლ. დოკუმენტების სპეციფიკაცია, ტექნოლ. ინსტრუქცია და სხვ.).

ტექნიკური ენციკლოპედიები და ლექსიკონები, სამეცნიერო-საცნობარო გამოცემები, რ-ებშიც მოცემულია სისტემატიზებული ცნობები ტექნიკის (ტექნოლ. მოწყობილობებისა და პროცესების, შრომის საგნებისა და მისთ.), ტექნიკურ და მომიჯნავე მეცნიერებათა დარგების შესახებ. ტ. ე. და ლ. არის ზოგადი (მოიცავს ტექ. მრავალ დარგს) და სპეციალური (ასახავს ტექ. კონკრ. დარგს ან ტექ. განვითარების რომელიმე მიმართულებას). ზოგადი ტექ. ლექსიკონის გავრცელებული სახეობაა პოლიტექ. ლექსიკონი. სხვა ენციკლოპედიების მსგავსად ტ. ე. და ლ. შეიძლება იყოს სისტემატური ან (უფრო ხშირად) ანბანური. ტ. ე. და ლ-ის შექმნას ხელი შეუწყო ენციკლოპედიური თემატიკის მქონე ტექ. ლიტ-რის ადრინდ. ძეგლებმა, ენციკლოპედიებისა და ტექ. სალექსიკონო გამოცემებმა (*ვიტრუვიუსის* „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ", ბვ. წ. I ს.), ფრანჩესკო დი ჯორჯო მარტინის „სამოქალაქო და სამხედრო არქიტექტურის შესახებ" (დაიწერა 1476, გამოიცა 1841), ვ. ბირინგუჩოს „პიროტექნიკის შესახებ" (1540), გ. *აგრიკოლას* „სამთო საქმისა და მეტალურგიისათვის" (1556), და სხვ. ორი საუკუნის მანძილზე ეს წიგნები წარმოადგენდა საწარმოო და სასწ. საშუალებებს, უცვლელ ცნობარებს. XVII—XVIII სს-ში გამოვიდა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომები: ინგლ. მათემატიკოსის ჯ. მოქსონის „პრაქტიკული მექანიკა" (განზოგადებული ცნობები სამშენებლო საქმის დარგში; 1677—79), გერმ. ინჟ. ი. ლეოპოლდის „მანქანათა სანახაობა..." (1724—39) და სხვ. ასეთი ლიტ-რის ნაწილი შემონახულია ხელნაწერის სახით (მაგ., პოლ. მეცნიერის ი. ნარონოვიჩ-ნარონსკის „სამხედრო მშენებლობა"; 1659). XVIII ს-ში გამოჩნდა ტექ. დარგობრივი ლექსიკონები. მაგ., ინგლ. უ. ჰუსონის „მემარაროს ლექსიკონი" (1747), გერმ. „ახალი სისტემატიზებული მინერალოგიური და სამთო-საქარხნო ლექსიკონი" (1730) და სხვ. მეცნ. და ტექ. პოპულარიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ენციკლოპედიას, ანუ მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ხელობათა განმარტებით ლექსიკონს", რ-იც ტექსტის გარდა შეიცავდა უამრავ ილუსტრაციას (ე. წ. „გრავიურებს"). თანამედროვე სახით ტ. ე. და ლ-ის ჩამოყალიბების პერიოდია XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწყისი, როცა შეიქმნა ტექ. ფუნდამენტური სამეცნ. ბაზა, განვითარდა ტექ. მეცნიერებანი. ტ. ე-ისა და ლ-ის დანიშნულებაა საიმედო ცნობათა სწრაფად მიღება ტექ. მოვლენათა მრავალ სახეობაში, რთული ტექნოლ. პროცესების გაანგარიშებაში, სამეცნ. მონაცემების გამოყენებით დაპროექტების საკითხებში და მისთ. გასარკვევად. ამავე პერიოდში შეიქმნა მრავალტომიანი ტ. ე. და ლ-ის ტიპები. მაგ. ფრანგ. „ტექნოლოგიური ლექსიკონი" (1822—35), ინგლ. „ხელოვნებათა, ხელობათა და სამთო საქმის ლექსიკონი" (1837—39), რ-იც შოტ. ქიმიკოსმა და ეკონომისტმა ე. იურმა გამოუშვა. უფრო მოგვიანებით გამოვიდა „ლიუგერის ზოგადტექნიკური ლექსიკონი" (1894—99), რ-იც ანბანურად იყო აგებული, ამერ. „მანქანების ენციკლოპედია" (1917), ინგლ. „ჰაჩინსონის ტექნიკური და სამეცნიერო ენციკლოპედია" (1935), იტალ. „სამრეწველო ტექნიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი" (1937, რ-იც შეადგინეს ჯ. ალბენგიმ და ე. პერუჯიმ). სამეცნ.-ტექ. პროგრესის სწრაფი ტემპის გამო ზოგადი ტ. ე. და ლ. სწრაფად ძველდებოდა. XX ს. I ნახევარში შეიქმნა ენციკლოპედიური ლიტ-რა წარმოებისა და ტექ. ცალკეულ დარგებში (სას.-სამ. ენციკლოპედია, ქიმ. ენციკლოპედია და სხვ.). ყველაზე მიზანშეწონილი და პერსპექტიული აღმოჩნდა დარგობრივი ტ. ე. და ლ.; გამოცემის დინამიკურობასა და აქტუალობას უზრუნველყოფას ტ. ე. და ლ-ის გამოშვება ე. წ. „მობილური ფურცლებით" (სტატიები, საცნობარო ცხრილები და მისთ. იბეჭდება ცალკეულ ფურცლებზე, რ-ებიც შეიძლება დაჯგუფდეს ნებისმიერი წესით და შეცვალოს მოძველებული მასალა). მიღებულია ტ. ე. და ლ-ის ხელახლად გამოცემა, რასაც წინ უსწრებს მასალის „განახლება".

სსრკ-ში საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში შეიქმნა მრავალტომიანი ენციკლოპედიური გამოცემები: „ქიმიურ-ტექნიკური ცნობარი", „ტექნიკური ენციკლოპედია" (1927—36), რ-საც დაურთეს „ფიზიკურ, ქიმიურ და ტექნოლოგიურ სიდიდეთა ცნობარი" (1927—33) და სხვ. საბჭ. ტ. ე. და ლ-ის მომზადებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ი. *არტობოლევსკი*, მ. *ბონჩ-ბრუევიჩი*, ს. *ვავილოვი*, მ. *კირპიჩოვი*, ვ. *ობრაზცოვი* და სხვ. დიდი სამამულო ომის (1941—45) დამთავრების შემდეგ გამოვიდა ენციკლოპედიური ცნობარი „მანქანათმშენებლობა" (16 ტ., 1946—51), ცნობარი „სამთო საქმე" (11 ტ., 1957—60), „მოკლე პოლიტექნიკური ლექსიკონი" (1956), „პოლიტექნიკური ლექსიკონი" (1976, 1980), ცნობარი „ხელსაწყოთმშენებლობა და ავტომატიკის საშუალებანი" (5 ტ., 1963—65), „ატომური ენერგია" (1958), ჯოპულ. მცირე ენციკლოპედია „კოსმონავტიკა" (1968, II გამოც., 1972), „კიბერნეტიკის ენციკლოპედია" (2 ტ., 1974), აგრეთვე სერია „თანამედროვე ტექნიკის ენციკლოპედია", რ-შიც შევიდა „წარმოების ავტომატიზაცია და სამრეწველო ელექტრონიკა" (4 ტ., 1962—65), „საკონსტრუქციო მასალები" (3 ტ., 1963—65), „მშენებლობა" (3 ტ., 1964—65), „ფოტო-კინოტექნიკა" (1981). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „გაზომვათა, კონტროლისა და ავტომატიზაციის ენციკლოპედია", რ-იც მზადდება „მობილური ფურცლების" მეთოდით.

საქართველოში ტექ. ტერმინოლოგია გამოიცა 4-ჯერ (1920—21, 1935, 1957, 1977—82). მომავალში გათვალისწინებულია ქართ. ტექ. ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა.

საზღვარგარეთის ტ. ე. და ლ-იდან ცნობილია ლიუგერის გერმ. ტექ. ლექსიკონი (17 ტ., 1960—72), ამერ. „მეცნიერებისა და ტექნიკის ენციკლოპედია" (15 ტ., 1971), იტალ. „მეცნიერებისა და ტექნიკის ენციკლოპედია" (12 ტ., 1970—73), ფრანგ. „მეცნიერებისა და ტექნიკის საერთაშორისო ენციკლოპედია" (10 ტ., 1969—74) და ა. შ.

ლიტ.: Черняк А. Я., История технической книги, 2 изд., М., 1981.

ტექნიკური ესთეტიკა, სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის ადამიანის სიცოცხლისა და მოღვაწეობისათვის სამრეწველო წარმოების საშუალებებით შექმნილი ჰარმონიული საგნობრივი სამყაროს ჩამოყალიბების სოც.-კულტურულ, ტექ. და ესთეტ. პრობლემებს. ტ. ე. წარმოადგენს *დიზაინის* თეორიულ საფუძველს, სწავლობს მის საზ. ბუნებას და განვითარების კანონზომიერებებს, მხატვრული კონსტრუირების მეთოდებს, მხატვარ-კონსტრუქტორის (დიზაინერის) პროფ. შემოქმედებისა და ოსტატობის პრობლემებს. ტ. ე-ის ძირითადი დარგებია დიზაინის ზოგადი თეორია და მხატვრული კონსტრუირების თეორია. დიზაინის ზოგადი თეორია სწავლობს დიზაინის სოც. არსს, აღმოცენების პირობებს, თანამედროვე მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს, მის კავშირს ხელოვნებასთან, ტექნიკასა და მთლიანად კულტურასთან, აყალიბებს ტ. ე-ის მოთხოვნებს სამრეწვ. პროდუქციის

ჰიმართ და სხვ. მხატვრული კონსტრუირების თეორია იკვლევს მხატვრული კონსტრუირების ადგილს პროექტირების პროცესის საერთო სტრუქტურაში, მის ტიპოლოგიურ თვისებებს, ჰხატვარ-კონსტრუქტორის შემოქმედებითი აზროვნების კანონზომიერებებს და განსაზღვრავს მისი პროფ. მოღვაწეობის საშუალებებსა და მეთოდებს. მხატვრული კონსტრუირების არსებითი ნაწილია სამრეწვ. ნაკეთობების კომპოზიციისა და ფორმათწარმოქმნის თეორია.

კომპოზიციის თეორია იკვლევს მთლიანი ჰარმონიული ფორმების შექმნის პროფ. მეთოდებსა და კანონზომიერებებს. მისი ძირითადი კატეგორიებია მოცულობით-სივრცითი სტრუქტურა, პლასტიკურობა, ჰარმონიზაციის საშუალებები (პროპორცია, რიტმი, კონტრასტი, ნიუანსი) და სხვ.

საპროექტო-საკონსტრუქტორო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მუშავდება მხატვრული კონსტრუირების მეთოდიკა — პრაქტ. მუშაობის სახელმძღვანელო, რ-შიც აღწერილია მხატვარ-კონსტრუქტორის პროფ. შემოქმედებითი მოღვაწეობის პრინციპები და მეთოდები.

ტ. ე-ის განსაკუთრებული ნაწილი ამუშავებს მხატვრული კონსტრუირების სფეროში განათლების საფუძვლებს.

ტ. ე-ის მჭიდრო კავშირი სოც. პრაქტიკასთან განაპირობებს იმას, რომ მისი სტატუსი იცვლის განსხვავებულ ხასიათს განსხვავებულ სოც. პირობებში.

სსრკ-ში ტ. ე-ის საკითხები შეიქმნა ტექ. ესთეტიკის საკავშ. კვლევითი ინ-ტის (ВНИИТЭ) სპეც. ყოველთვიურ ბიულეტენში „ტეხნიჩესკაია ესთეტიკა“ და სხვა სპეც. გამოცემებში.

ტექნიკური ინსპექტორი, სსრკ-ში ინსპექტორი, რ-იც ზედამხედველობას უწევს მუშაობის უსაფრთხოებას, საწარმოო სანიტარიის მდგომარეობას და შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებას სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, ორგანიზაცია-დაწესებულებებში, კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებში. 1933-იდან ტექ. ინსპექცია პროფკავშირთა გამკეებლობაშია. ტ. ი. მოვალეა გააკონტროლოს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექ. წესების შესრულება, მოითხოვოს გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მიაღწიოს შრომის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას, უბედურ შემთხვევათა და პროფ. დაავადებათა თავიდან აცილებასა და სხვ. შრომის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევისათვის ტ. ი-ს შეუძლია თანამდებობის პირს დააკისროს ჯარიმა 10 მან-მდე (მთავარ ტ. ი-ს 50 მან-მდე), აგრეთვე გადაუგზავნოს მასალა საგამოძიებო ორგანოებს დამნაშავის სისხლის სამართ. პასუხისგებაში მისაცემად.

ტექნიკური კიბერნეტიკა, კიბერნეტიკის დარგი, რ-იც იკვლევს მართვის პროცესებს ტექნიკურ სისტემებში. ტ. კ. კიბერნ. მეთოდებითა და საშუალებებით სწავლობს წარმოების კომპლ. ავტომატიზაციის, თანამედროვე რთული ტექ. მოწყობილობებისა და სისტემების (ავტომ. ელექტროსადგურების, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ქსლების, კოსმ. ხომალდების, სატრანსპ. სისტემების) მართვის საკითხებს. ტ. კ. წარმოადგენს *ავტომატური მართვის თეორიის* განვითარების თანამედროვე ეტაპს; იკვლევს ისეთ რთულ სისტემებს, რ-ებშიც უშუალოდ მონაწილეობს ადამიანი. სისტემებს, რ-ებშიც მართვის ფუნქციას ასრულებენ ადამიანები და ავტომატურად მოქმედი მოწყობილობები, ავტომატიზებულ სისტემებს უწოდებენ. სწორედ ამგვარი სისტემების შესწავლისა და დაპროექტების საკითხებია დღესდღეობით ერთ-ერთი ძირითადი ტ. კ-ში. ადამიანსა და მანქანას შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების ამოცანამ წინა პლანზე წამოსწია, ერთი მხრივ, ადამიანის ფსიქოფიზიოლ. პროცესების შესწავლის საკითხები მის რთულ მოწყობილობებთან ურთიერთობის დროს (საინჟინრო ფსიქოლოგია, *ერგონომიკა*), მეორე მხრივ, თვით ამ მოწყობილობების კონსტრუირების ახ. პრინციპების დამუშავება (*სისტემოტექნიკა*).

ტ. კ. იკვლევს ე. წ. *რობოტების* შექმნის ამოცანას. თანამედროვე რობოტების დამუშავებამ და შექმნამ გამოიწვია ტ. კ-ში ახ. მიმართულების — ხელოვნური ინტელექტის — წარმოშობა. ხელოვნური ინტელექტი იკვლევს ისეთი სისტემების შექმნის საკითხებს, რ-ებიც თავისი მოქმედებით შეიძლება შედარდეს ადამიანის ინტელექტუალურ მოქმედებას. ამ მიმართულებით შექმნილია მანქანური პროგრამები: ცნებათა ფორმირების, ჭადრაკის თამაშის, ბუნებრივი ენის გაგებისა და სხვ. მათ თეორ. ღირებულებასთან ერთად დიდი პრაქტ. მნიშვნელობაც აქვთ.

სხვადასხვა ობიექტის მართვის ტექ. მოწყობილობების შექმნისას ტ. კ-ის დარგის სპეციალისტები ცდილობენ გამოიყენონ ის პრინციპები, რ-ებიც ევოლუციის პროცესში ჩამოუყალიბდათ ცოცხალ ორგანიზმებს. ამ მიმართულების კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ტ. კ-ის სპეც. დარგი — *ბიონიკა*, რ-იც შედგება რამდენიმე ქვედარგისაგან (ჰიდრობიონიკა, ნეირობიონიკა და სხვ.).

ტ. კ-ის საკმაოდ განვითარებული მიმართულებაა *სახეთა გამოცნობა*. სახეთა გამოცნობას იყენებენ, როგორც წამკითხავ მოწყობილობათა ასაგებად, ისე სხვადასხვა სახის მონაცემებისა თუ სიტუაციების ერთობლიობაში კლასიფიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების ამოცანათა გადასაჭრელად.

ტ. კ-ის როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი ამოცანების კვლევისას ფართოდ იყენებენ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს, იმის გამო, რომ რთული სისტემებისა და პროცესების მართვის ყველა დონე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მათი დაპროექტებისას აუცილებელია სისტემური მიდგომა. მაგ., მართვის ავტომატიზებული სისტემების ერთიანი რთული პრობლემის დამუშავებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მისი ტექ., ორგანიზაციულ-ადმ., ეკონ., სოც.-ფსიქოლ., სამართლებრივი და ეთიკური მხარეები.

ტ. კ-ის თეორ. საფუძველს, ისევე როგორც კიბერნეტიკისა მთლიანად, წარმოადგენს *ინფორმაციის თეორია, ალგორითმების თეორია, ავტომატების თეორია, გრაფთა თეორია* და სხვ. მათ საფუძველზე ხორციელდება თვითორგანიზებადი, თვითმასწავლი ტექ. მოწყობილობების „ადამიანი—მანქანა“ სისტემების დაპროექტება და აგება.

ტ. კ-ის განვითარებამ გამოიწვია ოპტიმიზაციისა და მოდელირების ამოცანების ახლებურად წარმოდგენისა და გადაჭრის აუცილებლობა. თუ უწინ ამ საკითხებს მხოლოდ ტექ. სისტემების საშუალებით წყვეტდნენ, ამჟამად ფართოდ იყენებენ ადამიანმანქანური მოდელირების სისტემებსაც. ამგვარი მოდელირებისას სისტემაში ციფრულ და ანალოგურ გამომთვლელ მანქანებთან ერთად კომპლექსში შედის ინფორმაციის ასახვისა და კავშირურთიერთობის საშუალებებიც, რ-ებიც ადამიან-ოპერატორისათვის ქმნიან რეალურ პროცესთან მიახლოებული ფუნქციონირების პირობებს.

ტ. კ-ში წარმოებულმა გამოკვლევებმა წარმოაჩინეს სისტემების „ადამიანი—მანქანა“ უპირატესობა ავტომატურად მოქმედ სისტემებთან შედარებით. ამჟამად სისტემებს „ადამიანი—მანქანა“ იყენებენ რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილებათა მიღების, სხვადასხვა ტიპის ობიექტების იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის ამოცანათა გადაწყვეტისას. ადამიანისა და ელექტრონული გამომთვლელი მანქანის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით მუშავდება ბუნებრივ ენასთან მიახლოებული ფორმალური ენები, რ-ებიც აადვილებენ მათ შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პროცესს. თანამედროვე გამომთვლელი მანქანების პროგრამული უზრუნველყოფის მაღალმა დონემ განაპირობა ე. წ. ინტერაქტიური სისტემების შექმნა. ამგვარ სისტემებში ადამიანს საშუალება ეძლევა მრავალი რუტინული სამუშაო გადასცეს მანქანას და მასთან აქტ. ურთიერთობის პროცესში მონახოს ამა თუ იმ სისტემის ოპტიმალური მართვის გზა.

ლიტ.: Основы технической кибернетики, М., 1970; Человек и вычислительная техника, К., 1971. *ე. ჯუღელი.*

ტექნიკური პირობები (ტპ), სამრეწველო პროდუქციის (ნაკეთობის) *ტექნიკური დოკუმენტაციის* კომპლექტში შემავალი დოკუმენტი, რ-შიც მოცემულია პროდუქციისადმი წაყენებული ტექ. მოთხოვნები მისი მიღებისა და მიწოდების წესები, კონტროლის მეთოდები, ექსპლუატაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები. ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრავს ნაკეთობის ძირითად პარამეტრებსა და ზომებს, მის თვისებებს ან საექსპლუატაციო მახასიათებლებს, პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებს, ნაკეთობის კომპლექტურობას და ა. შ. მიღებისა და მიწოდების წესებში აღწერილია, თუ რა თანამიმდევრობით უნდა ჩატარდეს პროდუქციის საკონტროლო გამოცდა და როგორი უნდა იყოს პირობები პროდუქციის მიღება-ჩაბარების დროს. კონტროლის მეთოდების (გამოცდა, ანალიზი, გაზომვა) განყ-ბაში დადგენილია პროდუქციის ყველა პარამეტრისა და მახასიათებლების, შესაბამისი ნორმებისა და მოთხოვნების განსაზღვრის ხერხები, ნიმუშების ან სინჯების მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალებისა და რეაქტივების ამორჩევის წესები; გამოცდის, ანალიზის, გაზომვის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა და შედეგების დამუშავების ხერხები. ექსპლუატაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობების განყ-ბაში მოცემულია მითითებები პროდუქციის მონტაჟის, დაყენებისა და გამოყენების შესახებ, აგრეთვე მისი შეფუთვისა და ტრანსპორტირების წესები; დასახელებულია შენახვის ადგილი, პირობები და ვადები. ტპ ორი სახისაა: ერთი გათვალისწინებულია პროდუქციის (ნაკეთობის) ცალკეული სახეობებისათვის, ხოლო მეორე — პროდუქციის რამდენიმე სახეობისათვის (ე. წ. ჯგუფური ტპ). სსრკ-ში ტპ-ს ადგენენ *სახელმწიფო სტანდარტის* შესაბამისად, მათ ამტკიცებენ და არეგისტრირებს სსრკ სახსტანდარტის ორგანოები.

ტექნიკური პროგრესი, იხ. *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ტექნიკა.*

ტექნიკური ქსოვილი, *საფეიქრო ქსოვილი;* იყენებენ მანქანათა დეტალების, დანადგარების, ნაგებობებისა და სხვადასხვა ტექნიკური ნაკეთობის დასამზადებლად. გამოიმუშავებენ ყველა სახის საფეიქრო ბოჭკოსა და საფეიქრო ძაფისაგან. ტ. ქ-ად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგიერთი საყოფაცხოვრებო ქსოვილი (მაგ., მარლა, სარჟა და სხვ.). ტ. ქ-ს უმეტესად ღებულობენ ერთი ან მრავალშრიანი ტილოს ხლართებით. ზოგჯერ ტ. ქ-ს ცვლიან სინთეზური აფსკებით. ყველაზე მეტად გავრცელებულია კორდის, სალვედე, სატრანსპორტიორო, სასახელოე, საწნეხე და საფილტრავი ქსოვილები.

კორდის დარეზინებულ ქსოვილს იყენებენ სალტის კარკასისათვის. ქსლის ძაფს ამზადებენ ვისკოზის, პოლიამიდის, პოლიეთერის კომპლ. ძაფისაგან, მისაქსელის ძაფს კი — ბამბის ნართისაგან.

საღვედე და სატრანსპორტიორო ქსოვილს იყენებენ კონვეიერების ლენტებისა და ამძრავი ღვედების დასამზადებლად (იხ. *ბელტინგი*).

სასახელოე ქსოვილს გამოიმუშაებენ სელის, ბამბის, კომბინირებული და სინთეზური ძაფებისაგან. ქსოვილი ქმნის სახელოს კარკასს და უზრუნველყოფს ნაკეთობის ზომების სტაბილურობას; იყენებენ წნევის ქვეშ ან გაიშვიათებულ გარემოში მომუშავე მოწყობილობებში.

საწნეხე ქსოვილს ძირითადად ღებულობენ შალის ან ბამბის ნართისაგან; იყენებენ მანქანების გასართ ლილვებზე შემოსაჭიმად, პოლიგრაფიულ, საფეიქრო და სხვა დარგებში, წნეხების შუასადებებად და სხვ.

საფილტრავ ქსოვილებს იყენებენ ქიმ., კვების, სამელ. და მრეწვ. სხვა დარგებში სითხეებიდან, აირებიდან, ჰაერიდან მყარი ნაწილაკების გამოსაყოფად. ამზადებენ ბამბის, შალის, აზბესტის, სინთეზური და სხვა ბოჭკოებისაგან.

ტ. ძ-გან ამზადებენ პარაშუტებს, პნევმ. სამშენებლო კონსტრუქციების გარსებს, საცრებსა და სხვ.

ლიტ.: Технические ткани и их применение, М., 1965.

ტექნიკურ-სამრეწველო საფინანსო გეგმა, იხ. *საწარმოს ტექნიკურ-სამრეწველო საფინანსო გეგმა.*

ტექნოკრატია (ბერძნ. technē — ხელოვნება, ხელოსნობა, ოსტატობა და kratos — ძალაუფლება, ბატონობა), XX ს. ბურჟუაზიული სოციოლოგიის ცნება, რ-ის მიხედვით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი შეადგენს ინდუსტრიული საწარმოების მთავარ მამოძრავებელ ძალას, რის გამოც ძალაუფლებაც მასვე უნდა ეკუთვნოდეს (იხ. *ტექნოკრატიული თეორიები*).

ტექნოკრატიული თეორიები, თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიები, რ-თა თანახმად, საზ-ბას უნდა მართავდეს საინჟინრო-ტექ. ინტელიგენცია და არა ქვეყნის სათავეში მყოფი პოლიტიკოსები. ამ თეორიის ფუძემდებელია ამერ. სოციოლოგი თ. ვებლენი. ზოგიერთი ბურჟ. სოციოლოგის აზრით, ტექნოკრატიული საზ-ბის წამყვან ძალას წარმოადგენენ ინდუსტრ. წარმოების მმართველები: „დირექტორები", „მენეჯერები" (ჯ. ბერნემი), „კომპეტენტური სპეციალისტები" (ლ. არმანდი) და სხვ. ტ. თ-ის მიხედვით, მეცნ.-ტექ. რევ. ეპოქაში პროლეტარიატი აღარ ასრულებს კაცობრიობის გამათავისუფლებელ მისიას, ამიტომ კაცობრიობის ხსნა მხოლოდ ინდუსტრ. წარმოების მმართველებს, ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, ე. ი. ტექ. ინტელიგენციას შეუძლია. ეს ამ თეორიების ავტორთა ძირითადი შეცდომაა.

ლიტ.: Гвишиани Д. М., Организация и управление, 2 изд., М., 1972; Меньшиков С. М., Миллионеры и менеджеры, М., 1965. *ბ. ლუტაძე.*

ტექნოლოგია (ბერძნ. technē — ხელოვნება, ოსტატობა, უნარი და ... *ლოგია*), ნედლეულის, მასალის, ნახევარფაბრიკატების ან ნაკეთობების მიღების, დამუშავებისა და გადამუშავების საშუალებათა და წესების ერთობლიობა, რ-იც ხორციელდება მრეწვ. სხვადასხვა დარგში, მშენებლობაში და ა. შ. სამეცნ. დისციპლინა, რ-იც ამუშავებს და სრულყოფს ასეთ საშუალებებსა და წესებს. ტ. (ანუ ტექნოლოგიური პროცესები) ეწოდება აგრეთვე ნედლეულის მოპოვების, დამუშავების, გადამუშავების, საწყობში მოთავსების, შენახვის ოპერაციებს, რ-ებიც საწარმოო პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია. თანამედროვე ტ. მოიცავს წარმოების ტექ. კონტროლსაც. ტ-ს უწოდებენ აგრეთვე საწარმოო პროცესების აღწერას, ტექნოლ. წესებს, მოთხოვნებს, გრაფიკებს და სხვ. ტ-ს განიხილავენ წარმოების კონკრ. დარგთან დაკავშირებით (მანქანათმშ. ტ., მშენებლობის ტ.) ან განსაზღვრული მასალის მიღების ან დამუშავების ხერხებზე დამოკიდებულებით (ლითონთა ტ., ქსოვილთა ტ. და სხვ.). ტექნოლ. პროცესის განხორციელების შედეგად დასამუშ. ობიექტი ხარისხობრივად იცვლება. მაგ., სხვადასხვა ლითონის მიღების ტ. ემყარება საწყისი მასალის ქიმ. შედგენილობის, ქიმ. და ფიზ. თვისებების ცვლილებას. მექან. დამუშავების ტ. დაკავშირებულია დასამუშ. დეტალის ფორმისა და ზოგიერთი ფიზ. თვისების ცვლილებასთან.

ტ-ის, როგორც მეცნიერების, ამოცანაა ფიზ., ქიმ., მექან. და სხვა კანონზომიერებათა გამოვლინება ყველაზე მეტად ეფექტური და ეკონ. საწარმოო პროცესების განსაზღვრისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. მაგ., მანქანათმშ. ტ. იკვლევს დასამუშავებელ ტექნოლ. პროცესების დაპროექტების საფუძვლებს, ზედაპირის დამუშავების მექან. ხერხებს, ტიპობრივი დეტალების დამზადების მეთოდებს, მათი აწყობის პროცესებს, სამარჯვებისა და იარაღის კონსტრუირების საფუძვლებს, სხვადასხვა წარმოების ტ. ტექ. განვითარებასთან ერთად მუდმივად განახლებადი და ცვალებადია. ყველა დარგისა და სახეობის წარმოების ტ-ის სრულყოფა სახ. მეურნ. ტექ. პროგრესის დაჩქარების მნიშვნელოვანი პირობაა. თანამედროვე ტ-ის განვითარების ძირითადი მიმართულებებია წყვეტილი ტექნოლ. პროცესებიდან უწყვეტ ნაკადურ პროცესებზე გადასვლა, რ-იც უზრუნველყოფს წარმოების მასშტაბის გაზრდასა და მანქანებისა და მოწყობილობების ეფექტურად გამოყენებას, „შეკრული" ტ-ის დანერგვას (ნარჩენების გარეშე). სსრკ მრეწველობის დამამუშავებელ დარგებში 1975-იდან ინერგება წარმოების ტექნოლ. მომზადების ერთიანი სისტემა (წტმეს). იგი ითვალისწინებს ტექნოლ. დოკუმენტაციის შემუშავებისა და ტიპობრივი ტექნოლ. პროცესების, უნიფიცირებული მოწყობილობისა და სტანდარტული აღჭურვილობის გამოყენების ერთიან წესს.

ტექნოლ. საშუალებების, მეთოდებისა და ტერმინოლოგიის უნიფიკაციის მიზნით სსრკ-ში შემუშავებულია და 1975-იდან სახელმწ. სტანდარტის დონეზე მოქმედებს ტექნოლ. დოკუმენტაციის ერთიანი სისტემა (ტდეს).

ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, პროდუქციის მიღების, ნაკეთობის დამზადებისა (რემონტის) და სხვა ტექნოლოგიური პროცესების განმსაზღვრელი (იხ. *ტექნოლოგია*) გრაფიკული და სატექსტო დოკუმენტების კომპლექსი. მანქანათმშენებლობაში სახელმწ. სტანდარტებით დადგენილია ტექნოლ. დოკუმენტაციის ერთიანი სისტემა (ტდეს), რ-იც წარმოების ტექნოლ. მომზადებისა და მართვის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია. ტდეს-ის ძირითადი დანიშნულებაა ყველა საწარმოში ტ. დ-ის გაფორმებისა და წარმოების ერთიანი წესების დადგენა.

საერთო დანიშნულების ტექნოლ. დოკუმენტები: სამარშრუტო რუკა — ძირითადი ტექნოლ. დოკუმენტი, რ-იც მუშავდება სამუშაო დოკუმენტაციის შედგენის ყოველ სტადიაზე. შეიცავს ნაკეთობის დამზადების (რემონტის და სხვ.) ტექნოლ. პროცესის ყველა ოპერაციას, მათ თანამიმდევრობას, მასშივეა დასახელებული საჭირო მოწყობილობა, აღჭურვილობა, მასალა და სხვ.; ესკიზების რუკა — ასახავს ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიას გრაფიკულად (ესკიზების სახით); საკომპლექტებელი რუკა — შეიცავს მონაცემებს დეტალების, ასაწყობი ერთეულებისა და მასალის შესახებ; ტექნოლოგიური ინსტრუქცია — აღწერილია მუშაობის ხერხები ან ტექნოლ. პროცესის საკონტროლო მეთოდები, მოწყობილობებით ან ხელსაწყოებით სარგებლობის წესები და სხვ.; სამაქროთა თანამიმდევრულობის უწყისი — მოიცავს მონაცემებს ნაკეთობის მარშრუტის შესახებ საწარმოს საამქროებში; აღჭურვილობის უწყისი — წარმოადგენს ნაკეთობის დამზადებისათვის საჭირო სამარჯვების და იარაღების ნუსხას; მასალათა უწყისი მასალათა ხარჯის ნორმის უწყისია. საერთო დანიშნულების დოკუმენტაციის გარდა სამუშაოთა განსაზღვრული სახეობებისათვის ადგენენ აგრეთვე სპეციალიზებულ დოკუმენტაციას — საოპერაციო რუკებს, რ-ებშიც ტექნოლ. პროცესი დაყოფილია ოპერაციებად, და ტექნოლოგიურ რუკებს სამუშაოთა სახეობის (სხმულის დამზადება, საზეინკლო დაჩნევა და სხვ.) მიხედვით.

ტექნოლოგიური თეორიები, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა თანამედროვე *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის* პირობებში, რ-იც ცდილობს პოლიტეკონომიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური ისტორიისა და სოციოლოგიის ბურჟ. კონცეფციების გადასინჯვას ტექნიკური და ტექნოლოგიური *დეტერმინიზმის* საფუძველზე.

თანამედროვე ტ. თ-ის ამოსავალი დებულებები ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში აშშ-ში. ამ მიმდინარეობის წარმოშობას ხელი შეუწყო ფ. ტეილორისა და ჰ. ფორდის საქმიანობასთან დაკავშირებულმა კონვეიერული წარმოების გამოყენებამ, რასაც თან ახლდა მეწარმეთა მოგების ზრდა და მშრომელთა დასაქმების გადიდება. ამ პირობებში გავრცელდა შეხედულება თითქოს კონვეიერული წარმოების დანერგვა ცვლის კაპიტალიზმის დროს მოქმედ ეკონ. კანონთა ბუნებას და სპობს ანტაგონიზმს დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა თ. ვებლენის (აშშ) კონცეფცია ე. წ. „ტექნიკოსთა საბჭოს" მეშვეობით კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შესაძლებლობის შესახებ.

XX ს. 20-იან წლებში აშშ-სა და დას. ევროპაში ჩამოყალიბდა ე. წ. ტექნოკრატიული სკოლა (ჰ. სკოტი, ს. ჩეიზი — აშშ; ჟ. ბენდი — საფრანგეთი; ი. შუმპეტერი — ავსტრია), რ-იც თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემების ახსნას ცდილობდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ბაზაზე.

ტ. თ-თვის დამახასიათებელია კაპიტალ. საზ-ბის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობებისა და მუშათა კლასის მსოფლიო ისტ. მისიის უარყოფა, მტრული დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების მიმართ. მაგ., ტ. თ-ის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი ი. შუმპეტერი ცდილობდა გაებათილებინა მარქსიზმის *ზედმეტი ღირებულების* თეორია. იგი მოგების წყაროდ მიიჩნევდა არა მუშის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას, არამედ წარმოებაში ახ. ტექნიკის დანერგვას. მან ტექ. პროგრესს დაუკავშირა აგრეთვე ეკონ. ციკლური განვითარებისა და ეკონ. კრიზისების ახსნა. ტ. თ-ის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნ. *ვინერის* შრომამ „კიბერნეტიკა და საზოგადოება", სადაც გატარებულია წარმოების *ავტომატიზაციისა* და კიბერნეტიკიზაციის ეპოქის დაწყების იდეა.

ავტომატიზაციის საფუძველზე იზრდებოდა წარმოების მოცულობა. ამის შედეგად კი ჩნდებოდა მასობრივი უმუშევრობის საფრთხე, რაც განაპირობებდა სოც. გარდაქმნის მიზნით ეკონომიკასა და საზ-ბაზე სახელმწიფოს აქტ. ზემოქმედების ახ. ფორმების დამუშავებას. ეს კონცეფცია „მეორე სამრეწველო რევოლუცი-

ის" ანუ „სოციალური რევოლუციის" საზღვროებით აისახა დიდი ბრიტ. (1955), ავსტრ. (1958), გფრ-ის (1959) ს.-დ. პარტიების პროგრამებში და გახდა ამ პარტიების რეფორმიზმიდან (სოციალიზმში გადასვლა საზ. საკუთრების თანდათანობითი ზრდის საფუძველზე) ახ., სოც.-რეფორმიზმზე (წარმოების საშუალებების ნაციონალიზაციის მნიშვნელობის უარყოფა) გადასვლის თეორ. საფუძველი. ტექნოლ. მიმდინარეობა აიგივებს სამეცნ.-ტექ. რევოლუციასა და სოც. რევოლუციას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები თანამედროვე ეპოქას უწოდებდნენ სამი ერთდროული რევ. საუკუნეს (1. კიბერნეტიკული რევოლუცია, რ-ის პრაქტ. რეალიზაცია თითქოს უკვე განხორციელდა აშშ-ში, 2. რევოლუცია სამხ. საქმეში, 3. ადამიანთა უფლებების რევოლუცია).

ტექნოლ. მიმდინარეობა არაერთგვაროვანია. „ტექნოლოგიზაციის" საკითხებზე მუშაობენ ეკონომისტები და ფილოსოფოსები, კიბერნეტიკოსები და სოციოლოგები, ინჟინრები და სტატისტიკოსები, მათემატიკოსები და პოლიტიკოსები და ა. შ. ამასთან დაკავშირებით დამუშავებულია სხვადასხვა სახის ტ. მ., მაგ., „ავტომატიზებული ეკონომიკის", „კიბერნეტიკული პოლიტეკონომიის", „მეორე სამრეწველო რევოლუციის", „ეკოლოგიური", „ადამიანური კაპიტალისა და სამომხმარებლო საქმიანობის" თეორიები და მრავალი სხვ.

ტ. მ-ში თანდათანობით დამოუკიდებელ სკოლად ჩამოყალიბდა ტექნოლ.-ეკონ. მიმართულება, რ-ის წარმოშობა და გავრცელება დაკავშირებულია ჟ. ფურასტიეს სახელთან. ფურასტიე მიზნად ისახავს „ახალი პოლიტეკონომიის" შექმნას. მას ეკონ. კატეგორიები გამოჰყავს ტექნიკიდან. ჟ. ფურასტიე და საერთოდ ტ. მ. უარყოფენ კლასობრივი ბრძოლის როლს, რამდენადაც, ამ თეორიების მიმდევართა მტკიცებით, კაპიტალიზმი მთლიანად მოისპობა ტექ. პროგრესის შედეგად. ეს არის „კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის" თეორიის ახ. ფორმით გადმოცემა. თანამედროვე კაპიტალიზმი, ფურასტიეს მტკიცებით, იმყოფება „ტექნიკურად გარდამავალ პერიოდში", რ-იც სამი სტადიისაგან შედგება. პირველ სტადიაზე იზრდება „მეორეულ სექტორში" (მრეწველობაში) დასაქმებულთა რაოდენობა, მეორე სტადიაზე მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა სტაბილური ხდება, ხოლო მესამე სტადიაზე მათი რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება. „ტექნიკური გარდამავალი პერიოდის" შემდეგ იწყება „მესამეული ცივილიზაციის" ერა, რ-ის დროს თითქოს ლიკვიდირებულ იქნება კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი. *ჯ. კახნიაშვილი.*

ტექნოლოგიური პროცესი, იხ. სტ. *ტექნოლოგია.*

ტექნოლოგიური სინჯი ლითონებისა, ხერხი, რ-ითაც განსაზღვრავენ ლითონის უნარს მიიღოს იმის მსგავსი დეფორმაცია, როგორსაც ის ღებულობს დამუშავების ან ექსპლუატაციის პროცესში. ტ. ს-ს მიეკუთვნება სინჯი ლითონთა დაჯდომაზე, გაბრტყელებაზე, მავთულის დახვევაზე, გადაღუნვაზე და სხვ. ტ. ს-ს ზოგჯერ ლითონის ტექნოლოგიურ გამოცდას უწოდებენ. მაგ., მილების ხარისხის დასადგენად მათ ტექნოლოგიურად ცდიან გაფართოებაზე, გაბრტყელებაზე, მოჭიმვაზე, ჰიდრავ. წნევით რგოლების გაჭიმვასა და გაფართოებაზე. მრავალ ქვეყანაში (მ. შ. სსრკ-ში) ლითონების ტ. ს. სტანდარტიზებულია. ლითონის უნარის განიცადოს პლასტ. დეფორმაცია მთლიანობის დარღვევის გარეშე წნევით დამუშავების კონკრ. პირობებში განსაზღვრავენ მისი ტექნოლ. პლასტიკურობის ან დეფორმირებადობის დადგენით. ამ პროცესს ზოგჯერ კონკრ. სახელს უწოდებენ. მაგ., დაშტამპვის უნარი (სინჯი გამოწნეხვაზე) — პუანსონით თხელი (2–3 *მმ* სისქის) ფურცლის გამოწნეხა მატრიცასა და მომჭერს შორის (განსაზღვრავს ლითონის გამოჭიმვისა და ცივად შტამპვის უნარს); გლინვადობა — სოლისებური ნიმუშების გრძივი გლინვა (მიახლოებით განსაზღვრავს მოცემული მასალის დეფორმაციის მაქს. ხარისხს). *დ. ეგნატიძე.*

„ტექსაკო", აშშ-ის ნავთობის მონოპოლია; შეიქმნა 1902 წ. 1981 რეალიზებული იყო 57,6 მლრდ. დოლარის პროდუქცია (წმინდა მოგება — 2,3 მლრდ. დოლ). 1980 მოიპოვეს 180 მლნ. ტ ნავთობი (აქედან 80%-ზე მეტი აშშ-ის ფარგლებს გარეთ), გადაამუშავეს 149, 2 მლნ. ტ (ნავთობის დაახლ. 65% მუშავდება საზღვარგარეთის ქვეყნებში). დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა — 67 ათ. კაცი (1981).

ტექსელი (Texel), უდიდესი კუნძული დას. ფრიზის კ-ების ჯგუფში. ეკუთვნის ნიდერლანდს (ჩრდ. ჰოლანდიის პროვ.). ფართ. დაახლ. 162 *კმ*², მოსახლ. 11,8 ათ. კაცი (1973). ზედაპირი ტალღოვანი ვაკეა; სიმაღლე 36 *მ*-მდე. მეცხვარეობა, მეყვავილეობა, მეთევზეობა. პლაჟები. ტურიზმი.

II მსოფლიო ომის (1939–45) დროს 1945 წ. 6 აპრ. — 21 მაისს ტ-ზე მოხდა ქართვ. საბჭ. ტყვეების ბატალიონის აჯანყება გერმ. ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. გერმანელებმა კუნძულზე დიდი ძალები გადასხეს. ბატალიონის ხელმძღვანელობამ დახმარებისათვის ინგლისს მიმართა, მაგრამ მან აჯანყებულებს დახმარება არ გაუწია. მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში დაიღუპა 522 ქართველი მებრძოლი და მრავალი ადგილ. პატრიოტი. ადგილ. მოსახლ. თავგანწირული დახმარებით შესაძლებელი გახდა 228 კაცის გადარჩენა. 21 მაისს ტ-ზე გადავიდა კანადის საექსპედიციო კორპუსის ნაწილი და ბრძოლა შეწყდა.

ტექსი (<ლათ. texo — ვართავ, ვწნავ), ბაზოვანი სიმკვრივის ერთეული (*გ/კმ*), რ-საც იყენებენ ბოჭკოსა და ძაფის სისქის დასახასიათებლად. სსრკ-ში იყენებენ 1956-იდან.

ტექსტი [ლათ. textus — კავშირი, შეერთება (სიტყვებისა)], 1. წინადადების, სიტყვების თანამიმდევრობა, რ-იც აგებულია მოცემული ენის წესების მიხედვით და გვაწვდის რაიმე ცნობას; 2. ავტორის დაწერილი ან დაბეჭდილი დასრულებული მხატვრული ნაწარმოები (ან მისი ფრაგმენტი), ისტორიული დოკუმენტი და სხვ.; 3. თხზულება (ბეჭდური ანაწყობის ძირითადი ნაწილი) სურათების, ნახაზების, ფორმულების, შენიშვნების, კომენტარების და მისთ. გარეშე, 4. მუსიკალურ ნაწარმოებთა (მაგ., ოპერის, რომანსის და სხვ.) სიტყვები; 5. სტამბური შრიფტი, რ-ის კეგელი (ზომა) 20 პუნქტს (7,52 *მმ*) უდრის; 6. სემიოტიკასა და ლინგვისტიკაში — ნიშანთა თანამიმდევრობა (ენის ან ნიშანთა სხვა სისტემისა), რ-იც ქმნის მთლიანობას და განსაკუთრებული მეცნიერების — ტ-ის ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს.

ტექსტის ეკვივალენტი, პოეტურ ან პროზაულ ნაწარმოებში ავტორის (და არა ცენზურის) მიერ განზრახ გამოტოვებული ადგილი, რ-საც მნიშვნელობითი მხარე არ გააჩნია, მაგრამ პოტენციურად ალიქმება ტექსტის ბადალ ერთეულად. მაგ., ა. პუშკინის „ევგენი ონეგინში" ზოგი ტაეპი და მთელი სტროფებიც წერტილებითაა გადმოცემული. მიუხედავად ამისა, მათ რიტმული („ენერგეტიკული") ფუნქცია აქვთ — აადვილებენ მონოტონურობიდან ახ., დინამ. ინტონაციაზე გადასვლას, თუმცა სიტყვიერი მასალა უკიდურესი მინიმუმით — გრაფიკით არის შეცვლილი. ასეთი „ცარიელი" ადგილები არავითარ გეომ. „სიმეტრიას", „პროპორციას" ან დროის „ინტერვალს" არ ავლენს. დაახლ. ამავე თავისებურებებს იჩენს ტექსტის დეფექტური (მოულოდნელი) ადგილებიც. პროზაში ანალოგიური ფუნქციითაა აღჭურვილი პერსონაჟის ნაწილი თვით პერსონაჟის ნაცვლად (მაგ., ნ. გოგოლის „ცხვირი") ან თავისი აჩრდილი (ა. შამისოს „პეტერ შლემილის გასაოცარი თავგადასავალი", 1814) და ა. შ. ტ. ის დანიშნულების გათვალისწინება ეწინააღმდეგება ტექსტის ანალიზის შემოფარგვლას მისი „სეგმენტაციის", „სინტაგმიზაციისა" თუ „სიმეტრიის" დადგენით. პოეზიის კვლევისას ლინგვისტური კრიტერიუმები უკმარისია.

ლიტ.: გაწერელია ა., ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974; Тыняновъ Ю. Н., Проблема стихотворного языка, М., 1965. *ა. გაწერელია.*

ტექსტოლოგია (*ტექსტი* და ... *ლოგია*), ფილოლოგიის დარგი, ლიტერატურათმცოდნეობითი დისციპლინა, რ-იც კრიტიკულად შეისწავლის დამწერლობის, ლიტერატურისა და ფოლკლორის ძეგლებს მათი მეცნიერულად გამოცემის მიზნით. ტერმ. „ტ." 1928 შემოიღო ბ. *ტომაშევსკიმ*; საბჭ. ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა 1930-იანი წლებიდან (დას. ქვეყნების მეცნიერებაში მის ნაცვლად უპირატესად „ტექსტის კრიტიკა" იხმარება). ტ-ს ჯერ კიდევ ანტ. ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი (მაგ., ჰომეროსის პოემების ტექსტის კვლევებ) და შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა (ჰერმენევტიკა, ეგზეგეტიკა...). ამ მხრივ აღსანიშნავია კლასიკური პერიოდისა და ე. წ. ალორძინების ეპოქის ქართვ. მეცნიერ-მწიგნობრებისა და რედაქტორ-გადამწერლების (მიქაელ მოდრეკილი, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ს.-ს. ორბელიანი...) საქმიანობა, ხოლო ვახტანგ VI-ის მიერ 1712 თბილისში ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკულად გამოცემა ქართ. მეცნ. ტ-ის პირველი ნაბიჯია.

ახ. დროის ტ-ს, როგორც მეცნ. დისციპლინას, საფუძველი ჩაეყარა XVIII ს-ში (რ. ბენტლი, ფ. ა. ვოლფი...), შემდეგ კი განავითარეს კ. ლახმანმა (XIX ს. შუა წლები) და ჟ. შ. ბედიემ (XX ს. დასაწყისი). განვითარდა თანამედროვე ქართ. მეცნ. ტ-ც (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ილ. აბულაძე, ე. მეტრეველი და სხვ.). 1957 საქ. სსრ მეცნ. აკად. შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტში შეიქმნა ტ-ის განყ-ბა, ხოლო საქ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან 1962-იდან არსებობს ვეფხისტყაოსნის აკად. ტექსტის დამდგენი კომისია და მთავარი სარედაქციო კოლეგია.

გ. შარაძე.

ტექსტურა ქანისა, ქანის აგებულების თავისებურებები, რ-ებიც განპირობებულია მისი შემადგენელი ნაწილების სივრცეში ორიენტაციით, განაწილებითა და ურთიერთგანლაგებით. ქანის *სტრუქტურის* მსგავსად, ტ-ც დამოკიდებულია ქანის გენეზისზე. განირჩევა მაგმური ქანების ტ-ის ორი ძირითადი ჯგუფი: ერთგვაროვანი (ცალკეული ნაწილების შედგენილობისა და სტრუქტურის მიხედვით მასიური ან ფორიანი) და არაერთგვაროვანი — ტაქსიტური (ზოლებრივი, ფლუიდური, აგრეთვე ქანში *შლირების* ან *ქსენოლითების* არსებობით განპირობებული) ტ-ები. ინტრუზიულ მაგმურ ქანებს ახასიათებს მასიური, ზოლებრივი, შლირული ან ქსენოლითური ტ-ები; ეფუზიურს — ფლუიდური, ფორიანი და სხვ. დანალექი ქანების ძირითადი ტექსტურული ნიშანია *შრეებრიობა*; გავრცელებულია აგრეთვე უწესრიგო და ფლუიდური ტ-ები–კლასტურ ქანებში; კოლონიური ორგანიზმების (მარჯნები, ხავსელები და სხვ.) ზრდის შედეგად ჩამოყალი-



ტექტიტი.

ბებული ტ-ები—ბიოგენურ ქანებში; მასიური და ოოლითური — ქემოგენურ ქანებში. მეტამორფულ ქანებს ახასიათებს ამგები მინერალების კანონზომიერი ორიენტაცია. მათი ტ-ების ძირითადი ტიპებია: გნაისური (იხ. *გნაისი*) და ფიქლებრივი (იხ. *ფიქლებრიობა*).

ტექტანდერი (Tectander) ფონ დერ იაბელ გეორგ (გარდ. 1614), გერმანელი მოგზაური და დიპლომატი. გერმ. იმპერატორის რუდოლფ II-ის (1576—1612) ელჩის სტეფან კაკაშის მდივანი (1602—04) შაჰ-აბასის კარზე. კაკაში გზაში გარდაიცვალა და ტ-ს მოუხდა მისი მოვალეობის შესრულება. შაჰ-აბასს იგი თავრიზში შეხვდა და მის ჯართან ერთად მონაწილეობდა ერევნის აღებაში (1604). უკან დაბრუნებისას ტ. შეხვდა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს, რ-იც თავისი ჯარით შაჰ-აბასის დასახმარებლად მიდიოდა. ალექსანდრე II-ს სურვილი გამოუთქვამს დაემყარებინა დიპლ. ურთიერთობა რუდოლფ II-თან. ტ-ს დაწერილებით აქვს აღწერილი თავისი მოგზაურობა, მიღება შაჰ-აბასის კარზე; სპარსეთთან დაკავშირებით ახსენებს სომხებს და ქართველებს.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ტექტიტი (<ბერძნ. tēktos — გამოლღვალი), სხვადასხვა ფორმისა და ზომის მინის ბუნებრივი სხეული. აქვს მწვანე, ყვითელი ან შავი ფერი, შემომლღვალი ზედაპირი. ქიმ. შედგენილობა. SiO_2 — 88,5%-მდე, Al_2O_3 — 20,5%-მდე, FeO — 11,5%-მდე, CaO — 8,5%-მდე. აღსანიშნავია, რომ ტ. შეიცავს Ni-ს, ხოლო წყლის შემცველობა ნაკლებია სხვა ბუნებრივ მინებთან შედარებით. ტ-ები აღმოჩენილია ყველა კონტინენტზე (ანტარქტიდის გარდა) პალეოგენურ-მეოთხეული ასაკის ქანებში და მიწის ზედაპირზე, აგრეთვე ოკეანის ფსკერზე. რეგიონები, სადაც აღმოჩენილია ტ-ები, გამორიცხავს ტ-ის ვულკ. წარმოშობას. საყოველთაოდ მიღებული ჰიპოთეზა ტ-ების წარმოქმნის შესახებ არ არსებობს: ერთი ვარაუდით, ისინი მეტეორიტებად არის მიჩნეული, მეორეთი — წარმოქმნილია დედამიწის ზედაპირთან მეტეორიტების, ასტეროიდების ან კომეტების შეჯახების დროს მაღალი ტემპ-რის გავლენით ქანების გადადნობის შედეგად. ტერმ. „ტ." შემოიღო ე. *ზიუსმა* (1900). მოპოვების ადგილის მიხედვით განარჩევა ტ-ის სხვადასხვა სახეობები: მაგ., ავსტრალიტები, ფილიპინიტები და სხვ.

ტექტოგენეზისი, პროცესთა ერთობლიობა, რ-იც აჟალიბებს დედამიწის ქერქის სტრუქტურას. ტერმ. „ტ." შემოიღო გერმ. გეოფიზიკოსმა ე. პაარმანმა (1930). განარჩევენ ალპინოტიპურ (იხ. *ალპინოტიპური დანაოჭება*) და გერმანოტიპურ (იხ. *გერმანოტიპური დანაოჭება*), აგრეთვე პირველად და მეორეულ ტ-ს. პირველადში გაერთიანებულია სიღრმული სტრუქტურული ერთეულების წარმომქმნელი პროცესები, მეორეულში — *გრავიტაციული ტექტოგენეზისი*, რ-ის გავლენითაც დედამიწის ქერქის ზედა ნაწილში წარმოიქმნება ნაოჭები და რღვევები. დედამიწის ფიგურის მიმართ გადაადგილების უპირატესი მიმართულების მიხედვით განარჩევენ რადიალურ ანუ ვერტ. და ტანგენსურ ანუ მხებ (ჰორიზ.) ტ-ს.

ე. გამყრელიძე.

ტექტონიკა (<ბერძნ. tektonikos —სამშენებლო), გეოტექტონიკა, გეოლოგიის დარგი; შეისწავლის ლითოსფეროს (დედამიწის ქერქისა და ზედა მანტიის) სტრუქტურას და მის ცვალებადობას შეჯა. ტექტონ. მოძრაობებისა და დეფორმაციების გავლენით, რ-ებიც დაკავშირებულია მთელი დედამიწის განვითარებასთან. ტ-ში გამოიყოფა რამდენიმე დარგი: ზოგადი ანუ მორფოლოგიური ტ. (იხ. *სტრუქტურული გეოლოგია*), რ-იც შეისწავლის ლითოსფეროს (ძირითადად დედამიწის ქერქის) მცირე და საშ. ზომის სტრუქტურულ ელემენტებს; რეგიონული ტ. იკვლევს დედამიწის ქერქის ან მთლიანად ლითოსფეროს სტრუქტურული ელემენტების თანამედროვე განაწილების კანონზომიერებებს, გეოლ. აგებულებისა და გეოფიზ. მონაცემების საფუძველზე ახდენს ცალკეული ტერიტ. ან მთლიანად დედამიწის ტექტონიკურ დარაიონებას; ისტორიული ტ. — შეისწავლის დედამიწის ქერქის სტრუქტურის ჩამოყალიბების ისტ. კანონზომიერებებს. ისტ. ანუ პალეოტექტონ. კვლევა ეყრდნობა გეოლ. ფორმაციების, ქანების ფაციესების, გეოლ. კომპლექსების სისქეებისა და მოცულობების, აგრეთვე მათი უთანხმო განლაგებისა და ხარვეზების ანალიზს; გენეტიკური ანუ თეორიული ტ. — რეგიონული და ისტ. ტ-ის მონაცემების საფუძველზე აჟალებებს ლითოსფეროს განვითარების ზოგად თეორ. კონცეფციებს, იკვლევს ტექტონ. მოძრაობების მიზეზებსა და სტრუქტურული ელემენტების ჩამოყალიბების მექანიზმს (სტრუქტურული ანალიზი). კვლევის მეთოდების თავისებურებათა საფუძველზე ცალკე დარგებად ჩამოყალიბდა: *ტექტონოფიზიკა, სეისმოტექტონიკა, ნეოტექტონიკა* და *პეტროტექტონიკა*. ტ-ს გარდა თეორიულისა დიდი პრაქტ. მნიშვნელობაც აქვს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძებნა-ძიების საქმეში, საინჟინრო გეოლ. კვლევის დროს და სხვ.

ჯერ კიდევ ანტ. ხანაში (თალესი, არისტოტელე და სხვ.) იყო ცნობილი, რომ დედამიწის ზედაპირი უძრავი არ არის. საყურადღებო მსჯელობას რელიეფის ცვალებადობისა და მთათწარმოშობის შესახებ ეხვდებით ლეონარდო და ვინჩის, ნ. სტენოს, მ. ლომონოსოვის, ჯ. ჰატონისა და სხვ. შრომებში. XIX ს. ტ-ის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპებია *ელი დე ბომონის* მიერ 1829 (საბოლოო სახით 1852) წამოყენებული *კონტრაქციის ჰიპოთეზა* და გეოსინკლინების თეორია, რ-იც შეიმუშავეს ამერ. გეოლოგებმა ჯ. *ჰოლმა* (1859), ჯ. *დანამ* (1873) და ფრანგმა — მ. ბერტრანმა (1887). XX ს. I ნახევარში წამოყენებული ტექტონ. ჰიპოთეზებიდან აღსანიშნავია: სიღრმული დიფერენციაციის (რ. ვ. ვან *ბემელენი*, საბჭ. გეოლოგი, ვ. ბელოუსოვი), ქერქქვეშა დინებათა (ავსტრ. გეოლოგი ო. ამპფერერი, გერმ. რ. შვინერი და ე. კრაუსი, ჰოლანდ. ფ. ვენინგ-მეინესი), დედამიწის გაფართოების (გერმ. ო. ჰილგენბერგი, უნგრ. ლ. ედიედი, ამერ. ბ. ჰიზენი), პულსაციის (ამერ. უ. ჰ. ბაჩერი, საბჭ. მეცნიერები მ. *უსოვი*, ვ. *ობრუჩევი*) ჰიპოთეზები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონტინენტების მოძრაობის ჰიპოთეზას (იხ. *მობილიზმი*), რ-იც წამოაყენეს ამერ. გეოლოგმა ფ. ტეილორმა და გერმ. გეოფიზიკოსმა ა. *ვეგენერმა*. 1960-იანი წლებიდან ახ. გეოლ. და გეოფიზ. მონაცემების (განსაკუთრებით ოკეანის ფსკერისა და ზედა მანტიის აგებულების შესახებ) საფუძველზე აღორძინდა მობილიზმის იდეები „*ახალი გლობალური ტექტონიკის*" სახით (ამერ. გეოლოგები ჰ. ჰესი, რ. დიცი, ვ. ვაინი და სხვ.). შემუშავდა მობილიზმის სხვა ახ. ვარიანტებიც (ა. *პეივე* და სხვ.). გრძელდება დედამიწის სიღრმული დიფერენციაციის ჰიპოთეზის დამუშავება, როგორც ზომიერი მობილიზმის (რ. ვ. ვან ბემელენი), ისე ფიქსიზმის (ვ. ბელოუსოვი) პოზიციებიდან. XIX ს. დასასრ. და XX ს. I ნახ. ტ-ის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა გ. ე. *ოგის*, ე. *ზიუსის*, ე. *არგანის*, ა. *არხანგელსკის*, ლ. *კობერის*, ჯ. *შტილეს*, ა. *პავლოვის*, ი. *მუშკეტოვის*, ა. *კარპინსკისა* და სხვ. თეორიულმა და რეგიონულმა გამოკვლევებმა.

საერთაშ. სამუშაოებს ტ-ის დარგში ხელმძღვანელობს საერთაშ. ტექტონ. რუკების კომისია; ერთობლივი კვლევა მიმდინარეობს აგრეთვე საერთაშ. გეოდინამ. პროექტისა და გეოლ. კორელაციის პროგრამის ფარგლებში. სსრკ-ში კვლევის კოორდინაციას ახორციელებს სსრკ მეცნ. აკად. საუწყებათაშორისო ტექტონ. კომიტეტი, რ-იც სცემს ჟურნალს „Геотектоника" (1965-იდან). საქართველოში ტექტონ. კვლევას საფუძველი ჩაუყარა ა. *ჯანელიძემ*. კვლევა ძირითადად მიმდინარეობს საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. *გეოლოგიურ ინსტიტუტში*. მნიშვნელოვანი ნაშრომები ტ-ის დარგში ეკუთვნის პ. *გამყრელიძეს*, ი. *კახაძეს*, მ. *რუბინშტეინს*, ა. *ცაგარელსა* და სხვ.

ლიტ.: Белоусов В. В., Основы геотектоники, М., 1975. *ე. გამყრელიძე.*

ტექტონიკა არქიტექტურაში, იგივეა, რაც *არქიტექტონიკა*.

ტექტონიკური რუკა, რუკა, რ-ზეც გამოსახულია დედამიწის ქერქის ან მისი ნაწილის სტრუქტურა და განვითარების ისტორია. ტ. რ-ს ადგენენ *გეოლოგიური რუკის* საფუძველზე, იყენებენ აგრეთვე გეოფიზ. და სხვა მონაცემებს. არსებობს ტ. რ-ების ორი ძირითადი ტიპი: სტრუქტურული რუკები და საკუთრივ ტ. რ-ები. პირველზე გამოსახულია მხოლოდ სტრუქტურული ერთეულების მორფოლოგია; მეორეზე — ამ ერთეულების ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები, ტექტონ. მოძრაობებისა და დეფორმაციების ხასიათი, აგრეთვე დანალექი და მაგმური ფორმაციები, მეტამორფული ფაციესები. ტ. რ-ზე დანაოჭების ძირითადი ეპოქის, ასაკისა და ტექტონ. რეჟიმის ხასიათის მიხედვით ასახულია ტერიტ. ტექტონიკური დარაიონება, ხოლო განვითარების ძირითადი ეტაპების მიხედვით გამოყოფილია სტრუქტურული სართულები. დანიშნულების მიხედვით ტ. რ-ები შეიძლება იყოს მიმოხილვითი (მასშტაბი 1 : 10000000 და უფრო წვრილი) და რეგიონული (მასშტაბი 1 : 100000 — 1 : 200000).

ე. გამყრელიძე.

ტექტონიკური ციკლები, დედამიწის ისტორიის პერიოდები, რ-ებსაც ახასიათებს ტექტონიკური და საერთოდ გეოლოგიური მოვლენების გარკვეული კანონზომიერი თანმიმდევრობა. ტ. ც. განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება *გეოსინკლინებში*. ციკლის I სტადიაში (საკუთრივ გეოსინკლინური სტადია) მიმდინარეობს დედამიწის ქერქის დაძირვა — ღრმა ზღვიური აუზების წარმოქმნა, II სტადიაში (ოროგენული სტადია) — აზევება (მთათწარმოშობა). გვიანდ. კამბრიულისწინა და ფანეროზოური დროის ევროპაში და ნაწილობრივ ჩრდ. ამერიკასა და აზიაში გამოიყოფა შემდეგი ტ. ც.: გრენვილური (შუარიფეული), ბაიკალური (გვიანდ. რიფეულ—ვენდური), კალედონიური (კამბრიულ—დევონური), ჰერცინული (დევონურ—პერმული), კიმერიული (ტრიასულ—იურული), ალპური (იურულ—კაინოზოური).

ე. გამყრელიძე.

ტექტონოფიზიკა, *ტექტონიკის* დარგი; შეისწავლის დედამიწის ქერქის დეფორმაციული სტრუქტურული ელემენტების (ნაოჭები, რღვევები) წარმოქმნის ფიზ. კანონზომიერებებს მყარი სხეულის ფიზ., გეოლოგიის, ჰიდროდინამ. და სხვ. მონაცემების საფუძველზე. ტ-ის კვლევის მეთოდები ემყარება, ერთი მხრით, გეოლ. წარსულში არსებულ ტექტონ. დაძაბულობათა ველების აღდგენას სტრუქტურული გეოლ. მონაცემების საფუძველზე (სტრუქტურული ანალიზი), მეორე მხრით, ტექტონ. სტრუქტურების ლაბორატორიულ მოდელიერებას ბუნებრივ ქანებზე ან ეკვივალენტურ მასალებზე (სილიკონი, თიხა, ბიტუმი, ვაზელინი, ჟე-

ლატინი და სხვ.) ფიზ. მსგავსების პრინციპის მიხედვით.

ლიტ.: Гзовский М. В., Основы тектонофизики, М., 1975. *ე. გამყრელიძე.*

ტაშკენტი, ტუტე გაბროიდების ჯგუფის სრულკრისტალური ჰიპაბისალური ქანი. შეიცავს ფუძე პლაგიოკლაზს, აეგირტს,ანალციმს, ტუტე რქატყუარას (ბარკევიკიტი), ცეოლითებს, აქცესორულ მინერალებს — აპატიტს, მაგნეტიტს, სფენს და სხვ. აქვს დიაბაზური სტრუქტურა. გვხვდება მცირე ზომის ჰიპაბისალური მასიების, დაიკებისა და სილების სახით. ტ. სსრკ-ში გავრცელებულია კავკასიაში (საქართველოში — კურსების საბადო), სამხრ. ციმბირში (მინუსინსკის ქვაბული) და სხვ.; საზღვარგარეთ — კარპატის მთებში. ტ. ლამაზი შესამოსი ქვაა. ტ-ით არის შემოსილი თბილისში მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალის შენობის სვეტები.

ტაჩანი (დიდი ხანი), კორეის სახელმწიფოს სახელწოდება 1897-იდან 1910-მდე (კორეის იმპერიად გამოცხადებიდან იაპონიის მიერ კორეის ანექსიამდე). ისტორიულად იგი დაკავშირებულია „სამ ხანთან“ (კორ. ტომების პოლიტ. გაერთიანება) ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისთან. 1948 სამხრ. კორ. ტერიტორიაზე ე. წ. კორ. რესპ. შექმნასთან დაკავშირებით ტერმ. ტ. კორ. სახელწოდების შემადგენელი ნაწილი (ტეხან მინგუკი) გახდა.

ტეხასი (Texas), შტატი აშშ-ის სამხრ. ნაწილში, მექსიკის ყურის სანაპიროზე. ტ. ფართობით II ადგილზეა აშშ-ში (ალასკის შემდეგ), მოსახლეობით — III-ზე (კალიფორნიისა და ნიუ-იორკის შემდეგ). ფართ. 692 ათ. *კმ*². მოსახლ. 14,2 მლნ. კაცი (1980). აქედან დაახლ. 80% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც.—ქ. ოსტინი. მნიშვნელოვანი ქ-ებია პიუსტონი, დალასი, ფორტ-უერთი, სან-ანტონიო.

შტატის აღმ. ნაწილი უჭირავს მექს. ყურის სანაპირო დაბლობს, რ-იც დას-ით ედუარდზის პლატოსა (სიმაღლე 835 *მ*-მდე) და ლიანო-ესტაკადოში (1200 *მ*-მდე) გადადის. დას. კიდეზე კლდოვანი მთების შტოქედებია (2665 *მ*-მდე). იანვ. საშ. ტემპ-რა 1—15°C, ივლ. 25—30°C. ნალექები 200-იდან 1300 *მმ*-მდე წელიწადში.

ტ. ინდუსტრ.-აგრ. შტატია. სამთომოპოვებითი მრეწვ. პროდუქციით იგი I ადგილზეა აშშ-ში, სოფ. მეურნ. პროდუქციით — III-ზე. ტ. I ადგილზეა აშშ-ში ნავთობის, ბუნებრივი აირის, გოგირდის, ჰელიუმის მოპოვებით. იღებენ აგრეთვე პოლიმეტალებს, ურანს, ქვანახშირს. არის მძლავრი თესები. მრეწვ. მთავარი დარგებია ნავთობგადასამუშ. და ქიმ. მრეწველობა (მექს. ყურის სანაპირო). განვითარებულია ფერადი მეტალურგია (პორტ-ლავაკა, კორპუს-კრისტი), აეროკოსმ. (მ. შ. ავიასარაკეტო; ფორტ-უერთი, დალასი), კვების, სამკერვალო, ლითონდასამუშ., მანქანათსაშ. მრეწველობა. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის დაახლ. 2/3-ს იძლევა მიწათმოქმედება. ტ. I ადგილზეა აშშ-ში ბამბისა და ბრინჯის მოსავლით, მსხვ. რქ. საქონლის, ცხვრის, თხის სულადობით. მოჰყავთ ხორბალი, სორგო, სიმინდი, ბოსტნეული, ითხვა, არაქისი, ხილი (მ. შ. ციტრუსები). მთავარი საზღვ. ნავსადგურებია პიუსტონი, ბომონტი, პორტ-ართური, კორპუს-კრისტი.

პირველი ევროპელები, რ-ებიც ტ-ის ტერიტორიაზე მივიდნენ (XVI ს. I ნახ.), ესპანელები იყვნენ. XVII ს-ში ესპ. კოლონია იყო. 1821-იდან შევიდა მექსიკის შემადგენლობაში. 1846—48 ამერ.-მექს. ომის შემდეგ მექსიკამ დაკარგა. სამოქალაქო ომის პერიოდში (1861—65) ტ. შედიოდა სამხრ. მონათმფლობელური შტატების კონფედერაციაში. 1920-იან წლებში ტ-ში გაძლიერდა *კუ-კლუქს-კლანის* მოძრაობა. აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად (1954) ტ-ის სკოლებში თეთრკანიანი და შავკანიანი მოსახლ. ცალ-ცალკე სწავლებაა. 1963 ტ-ში მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი ჯ. კენედი.

ტეხი, სოფელი აფხ. ასსრ გულრიფშის რ-ნში (განახლების სოფსაბჭო), მდ. კოდორის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 500 *მ*, გულრიფშიდან 29 *კმ*. განახლების ლადო კეცხოველის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მესიმინდეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ნააში (3 *კმ*).

ტეხური, მდინარე დას. საქართველოში, სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე, მწვ. ტეხურიშდუდთან, 2400 *მ* სიმაღლეზე. მდ. რიონს ერთვის მარჯვენიდან. სიგრძე 108 *კმ*, აუზის ფართ. 1040 *კმ*². მთავარი შენაკადია მდ. აბაშა. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები — მთელი წლის მანძილზე. საშ. წლ. ხარჯი სოფ. ნაქალაქევთან 30,2 *მ*³/*წმ*. იყენებენ სხ-ტყის დასაცურებლად და სოფლის წისქვილებისათვის. ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობს კურ. ლებარდე.

გ. გიგინეიშვილი.

ტეხურიშდუდი, მთა ეგრისის ქედზე, მდ-ების ჩეგოლისა (ხობის აუზი) და ტეხურის (რიონის შენაკადი) სათავეებთან. სიმაღლე 3002 *მ*. კონუსური მოყვანილობისაა. მთის მიდამოები აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, პორფირიტებით. კალთები შემოსილია ალპ. მდელოებით.

გ. მარგველანი.

ტვანაარხუ (1955-მდე ტვანა), სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (დურიფშის სოფსაბჭო), აფხაზეთის მთისწინეთში. ზ. დ. 240 *მ*, გუდაუთიდან 15 *კმ*.

ტვ ი. ლენინის ორდენოსანი კოლ-ბა „დურიფში“ (მეთამბაქოეობა), საშ. სკოლა, მღვიმე.

ტვარდოვსკი ალექსანდრე ტრიფონის ძე [8(21). VI. 1910, ხუტორი ზაგორიე, ახლანდ. პოჩინოკის რ-ნი, სმოლენსკის ოლქი,— 18. XII. 1971, აგარაკი კრასნაია-პახრასთან, მოსკოვის ოლქი, დაკრძალულია მოსკოვში], რუსი საბჭ. პოეტი და საზ. მოღვაწე. სკკპ წევრი 1940-იდან. ნაწარმოებების ბეჭდვა 1924-იდან დაიწყო. მის ადრინდ. პოემებსა („გზა სოციალიზმისაკენ“, 1931; „ზღაპრული ქვეყანა“, 1936; სსრკ სახელმწ. პრემია 1941) და ლექსებში აისახა საკოლმ. მშენებლობა. დიდი სამამულო ომის წლებში პოემაში „ვასილი ტიორკინი (წიგნი მებრძოლის შესახებ)“ (1941—45; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946) გადმოსცა უბრალო რუსი ადამიანის გრძნობისა და აზრის სიღრმე. ტ-ს ომის შემდგომ პოეზიაში კვლავ გამოიხატა საბჭ. ხალხის გმირობის თემა (პოემა „სახლი გზის პირას“, 1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1947). ეპოქის ღრმა წვდომით გამოირჩევა პოემა „შორეთს იქითა შორეთი“ (1953—60, ლენინური პრემია, 1961), კრებ. „ამ წლების ლირიკიდან. 1959—67“ (1967; სსრკ სახელმწ. პრემია, 1971) და სხვ. ტ-ს პოეზიის ჭეშმარიტად ხალხ. ყღერადობა, ჩვენი ისტ. საკვანძო მოვლენების ალალმართალი ასახვა, მაღალი ენობრივი კულტურა განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს მას საბჭ. პოეზიაში. ტ. იყო ჟურნ. „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი (1950—54, 1958—70), სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1950—54, 1959—71). სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრი (1952—56), სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1961—66). ეერ. მწერალთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1963—68). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით. ტ-ს თხზულებები თარგმნილია სსრკ ხალხთა და უცხ. ენებზე.

თხზ.: Стихотворения. Поэмы, М., 1971; პოემები, თბ., 1978.

ტვედიში, სოფელი მესტიის რ-ნში (ბეჩოს სოფსაბჭო), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. დოლრის (ენგურის სისტემა) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1560 *მ*, მესტიიდან 23 *კმ*. ბეჩოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. მაზერში (2 *კმ*).

ტვენი (Twain) მარკ (ნამდვ. სახელი და გვარი სემიუელ ლენგჰორნ კ ლ ე მ ე ნ ზ ი, Clemens) (30. XI. 1835), ფლორიდა, მისურის შტ., — 21. IV. 1910, რედინგი, კონექტიკუტის შტ.), ამერიკელი მწერალი. ამერ. კრიტ. რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საბავშვო ლიტ-რის კლასიკოსი. მუშაობა ადრეული ბავშვობიდან დაიწყო; იყო ასოთამწყობის შეგირდი, ლოცმანი, ოქროს მაძიებელი; ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა იუმორისტულ ნაწარმოებებს, ნარკვევებს, სტატიებს, რეპორტაჟებს. 1867 იმოგზაურა ევროპასა და მცირე აზიაში, რაც საფუძვლად დაედო მის წიგნს „გულუბრყვილონი საზღვარგარეთ“ (1869). ამ წიგნში წინა აზიის აღწერისას მოხსენიებული არიან ქართვ. ტყვეებიც (წიგნ. II, თავი VII). დიდი გამოხმაურება ჰქონდა ფოლკლორულ სიუჟეტზე აგებულ მოთხრობას „სახელგანთქმული მხტუნავი კალავერასელი ბაყაყი“ (1867) და რომანს „მოოქრული საუკუნე“ (ჩ. დ. უორნერთან ერთად, 1873), რ-ის სათაური იმ დროის ამერ. ყოფის აღმნიშვნელ ზოგად სახელადაც კი იქცა. შემდგომ ეტაპზე მის შემოქმედებაში დომინირებდა რომან-ზღაპარი, ფანტასტ. რომანი და „სიძველეთა რომანი“, მ. შ. გამორჩევა ავტობიოგრ. შეფერილობის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (1876). ისტ. მასალას ეფუძნებოდა რომან-ზღაპარი „უფლისწული და მათხოვარი“ (1882), რ-ის ზღაპრული პირობითობა და პოეტურობა ავტორს საშუალებას აძლევს თამამად ილაპარაკოს ყველაზე მწვავე საზ.-პოლიტ. და სოც. საკითხებზე. კიდევ უფრო მწვავე ამერ. პრობლემა — მონობის პრობლემაა დასმული რომანში „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ (ინგლისში გამოიცა 1884, 1885 — აშშ-ში). რომანში „კონექტიკუტელი იანკი მეფე ართურის კარზე“ (1889) ფანტასტიკა მწერლის რეალისტური ესთეტიკის ფორმას იღებს და სინამდვილის მართლად ასახვის პირობას ქმნის. ტ-ს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, პამფლეტი, რომანი, სტატია, ნარკვევი, ძალზე საინტერესო „ავტობიოგრაფია“ (დაუმთავრებელი დარჩა, ტ. 1—2) და სხვ. ტ. შესანიშნავი დეკლამატორი იყო, გამოდიოდა საჯაროდ და კითხულობდა თავის მოთხრობებს, ლექციებს და სხვ. ტ-ის შემოქმედების საფუძველია ხალხ. იუმორი. მისგან შეისისხლხორცა მწერალმა იუმორისტული ჰიპერბოლა, ზღაპრული ფანტასტიკა, ნათელისა და ბნელის ჭიდილში ნათელის გამარჯვების რწმენა. ტ-მა ახე უცვალა მანამდე დამკვიდრებულ კონსტრუქციული მთლიანობის მქონე ამერ. მოთხრობას, მისცა მას ანეკდოტის იერი, შეიტანა პაროდიისა და მისტიფიკაციის ელემენტი, კომიზმი, გროტესკული და სატირული კარიკატურა, მეტყველების იუმორისტული ინდივიდუალიზაცია, კომიკურის ტრაგიკულთან მოულოდნელი შერწყმა და სხვ. მთელ მის შემოქმედებას ნათელ ფერად გასდევს ღრმა დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.



ა. ტვარდოვსკი.



მარკ ტვენი.

საქართველოში ტ-ის შემოქმედებას მის სიცოცხლეშივე იცნობდნენ. 1904 ანასტასია წერეთელმა თარგმნა „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“, ამავე წლებში გ. ყიფშიძემ გამოაქვეყნა „ტომის თავგადასავალი“, მას შემდეგ ტ-ის ნაწარმოებები არაერთხელ თარგმნეს და გამოსცეს.

თხზ.: მილიონი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტი, თბ., 1969; ტომ სოიერის თავგადასავალი, ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი, მოთხრობები, პამფლეტები, თბ., 1972; უფლისწული და მათხოვარი, თბ., 1966.

ლიტ.: История американской литературы, ч. 1, М., 1971; Ромм А. С., Марк Твен, М., 1977. *ნ. ბადრიაშვილი.*

ტვერი, რსფსრ კალინინის ოლქის ცენტრის ქ. *კალინინის* სახელწოდება 1931-მდე.



ტ ვ ე რ ი ს ს კ ო ლ ა. „მაცხოვარი“. XIII ს. დასასრული—XIV ს. დასაწყისი. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ტვერის სამთავრო, ჩრდ.-აღმ. რუსეთის ფეოდალური სახელმწიფო XIII—XV სს-ში. ეკავა ვოლგისა და მისი შენაკადების ზემოთი. XIII ს. 40-იან წლებში გამოეყო ვლადიმირის სამთავროს. XIII ს. II ნახევრიდან სწრაფად გაძლიერდა. ტ. ს-ს შიშით უყურებდნენ *ოქროს ურდოს* ხანები და მბარს უჭერდნენ მოსკ. მთავრებს როგორც ტ. ს-ს მეტოქეებს. 1327 ტვერსა და სხვა ქ-ებში დაიწყო აჯანყება, რ-იც ოქროს ურდოს ხანმა მკაცრად ჩაახშო — ტვერი დაარბიეს და გადაწვეს. ამის შემდეგ ტ. ს. ვერ აღდგა. მის დასუსტებას ფეოდ. დაქუცმაცებულობის პროცესმაც შეუწყო ხელი. 1485 წ. 12 სექტ. მოსკ. დიდმა მთავარმა ივანე III-მ დაიკავა ქალაქი ტვერი და ტ. ს-მ, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტ. ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა.

ტვერის სკოლა (XIII—XV სს.), ძვ. რუსული ფერწერის ადგილობრივი სკოლა. საფუძველი ჩაეყარა ტვერში ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში. ტ. ს-ის ნიმუშებისათვის (ხატები, ხელნაწერთა მინიატურები) დამახასიათებელია ექსპრესიულობა, წერის ხაზობრიობა („გიორგი ამარტოლის ქრონიკების“ მინიატურები, ვ. ი. ლენინის სახ. ბიბლიოთეკა. „ბორისისა და გლების“ ხატი, რუს. ხელოვნ. მუზეუმი, კიევი—ორივე XIII ს. დასასრ. და XIV ს. დასაწყ.). XV ს-ში გაძლიერდა ტ. ს-ის ტრადიციების გავლენა ბალკ. ქვეყნებზე, რაც ადრეც შეიმჩნეოდა.


ლიტ.: Евсеева Л. М., Кочетков И. А., Сергеев В. Н., Живопись древней Твери, М., 1974.

ტვიბერი, მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის აუზში. სიგრძე 9,5 *კმ*. ფართ. 27 *კმ*^{2}, ენის სიმაღლე 2150 *მ*. ტ. ხეობის ტიპის პოლისინთეზური მყინვარია. აქვს მრავალი შენაკადი: ლასხედარი, ირითი, ასმაში, თოთი, სერი და სხვ. მთავარ ტოტს სათავეში ეწოდება ლიჭადი, შუაში — ძინალი, ქვემოთ — ტ. ზედაპირის უმეტესი ნაწილი დაფარულია მორენული მასალით. საზრდოობს მწვერვალების კულაკთაუს, ბაშილის, თოთის, სვეტლარის, ასმაშისა და ბანგურიანის კალთებიდან ჩამონადენი მყინვარული ნაკადებით და თოვლის ზვავებით. მყინვარიდან გამოდის მდ. ტვიბერი (მულხრის მარჯვ. შენაკადი).


რ. ხაზარაძე.

ტვიბერი, მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. შტოქედზე (მდ-ების ენგურ-ურუხვანისა და ვოიშურის წყალგამყოფი). სიმაღლე 3103 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. დამახასიათებელია ალპ. ლანდშაფტი.

ტვიბერი, უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, კულაკთაუსა და ბაშილის მწვერვალებს შორის. სიმაღლე 3607 *მ*. მიდამო აგებულია პალეოზოური



ტვინი. ადამიანის თავის ტვინი. ხედი ქვემოდან.



ტვინი. რუხი ბატის თავის ტვინი. ხედი გვერდიდან.

ფილტვის ტვინის ფორმირებაში, რ-შიც მცირეოდენი სითხეა. ზოგან მაგარი გარსი იწლიჩება ორ ფურცლად, წარმოქმნის ვენურ წიალებს. მაგარი შეჭრილია ტვინის ნაწილებს შორის, წარმოქმნის მორჩებს. მ. შ. აღსანიშნავია ტვინის ნამგალი, რ-იც ნახევრად ჰემისფეროებს შორის, ნაწილია ტვინის კარავი, რ-იც ერთმანეთისგან გამოყოფს ტვინის კეფის წილსა და ნახევარს, თურქული კეხის სამგდები, რ-იც ზემოდან შემოსაზღვრავს ტვინის დანამატს და სხვ. ქსელისებრი გარსი მეტად თხელი, ნაზია. იგი ტვინის გარსს ეხება ყველა მხრიდან, ეხება ტვინის ხვეულების ამობურცულ ნაწილებს და აქ უერთდება მის ქვეშ მდებარე სისხლძარღვოვან გარსს. ტვინსა და სისხლძარღვოვან გარსებს შორის არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული ქსელქვეშა სივრცეები. ზოგან ეს სივრცეები ფართოვდება და წარმოქმნის სისხლის ავსებულ აუზებს. ქსლისებრი გარსის განსაკუთრებული წარმონაქმნები — ბურცულაციები, რ-ებიც მრავლად მოიპოვება საგიტალური წიალის გასწვრივ; მათ ხმარებით თავისა და ზურგის ტვინიდან სისხლძარღვოვანი გარსი მჭიდროდ ერწყმის ტვინს, ჩადის მის ფველა ნაპრალსა და ღარში და ავსებს მათ; იგი ქმნის IV პარკუჭების სისხლძარღვთა სარქველსა და წნულებს. მაგარი გარსის აპკს ეწოდება პაქიმენინგიტი, ხოლი გარსისას — ლეპტომენინგიტი.

ვ. აბ.

ტვინის პარკუჭები, სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის, ეპენდიმით მოპირკეთებული ღრუები თავის ტვინში; ნერწყვსადენი სულის პირველადი ღრუს ნაშთი. ადამიანის ჩვენ წყვილ გვერდითს (მარცხ. I და მარჯვ. II), კენტ III და IV პარკუჭებს. გვერდითი პარკუჭები მდებარეობს ნახევარსფეროებში. მათ აქვთ შემდეგი ნაწილები: წინა რქა — ტვინის შუბლის წილში, ცენტრალური ნაწილი — თხემის წილში, უკანა რქა — კეფის წილში და ქვედა რქა — საფეთქლის წილში. III პარკუჭი მოთავსებულია მხედველობის ბორცვებს შორის, IV პარკუჭი კი — ხიდს, მოგრძო ტვინსა და ნათხემს შორის; მისი ფორმა რომბისებრი ფოსო. გვერდითი პარკუჭები პარკუჭთაშუა ხვრელით უკავშირდება III პარკუჭს, ეს უკანასკნელი IV პარკუჭთან დაკავშირებულია ტვინის წყალსადენით, ხოლო პარკუჭის უშუალო გაგრძელებაა ზურგის ტვინის ცენტრ. არხი. ტ. პ. შეიცავს მუდმივ ცირკულირებად მყოფ თავისა და ზურგის ტვინის სითხეს, რ-იც უკავშირდება სუბარაქნოიდულ

ის. ტ.. პ-ის გამოსაკვლევად
ნ პნევმოენცეფალოგრაფიასა და
ოგრაფიას (ტ. პ-ში წინასწარ
რომელიმე კონტრასტული ნივ-
შეყვანა და შემდგომი რენტგე-
). *ვ. აბაშიძე.*

ტვირთვა, თავის ტვინის დახუ-
ვამა. კლინიკურად ახასიათებს
ის დაკარგვა ტრავმის მიღების-
ანტერორეტროგრადული *ამნეზია*
ე და ტრავმის შემდეგ მომხდარ
ეზიერების დაკარგვა), შემდეგ
კვილი, თავბრუ, გულისრევა,
ება, ბრაყდიკარდია. არსებობს
მსუბუქი, საშუალო და მძიმე
მსუბუქი ფორმის დროს აღინიშ-
ბიერების ხანმოკლე დაკარგვა,
თალე, კუნთების ტონუსისა და
ქციის დაქვეითება, ზედაპირული
ებული სუნთქვა; საშუალო ფორმის
დინამია, *ასთენია*, სპონტანური
შენელებული ან აჩქარებული
, თავის ტკივილი, თავბრუ, გუ-
პირლებინება, მეხსიერების და-
ძნიმე ფორმის დროს ავადმყოფი
ვად კარგავს ცნობიერებას, ზია-
ანის ღეროს ბადისებრი ფორმა-
ლობს ქალასშიგა წნევა, მკვეთ-
ობა ხასხის რეფლექსი. ტვინის
ბისა და ქალასშიგა სისხლ-
დროს აღინიშნება სუნთქვისა და
ძარღვთა სისტემის მძიმე და-
მკურნალობა: მკაცრი
რეჟიმი (15—20 დღე). სიმშვიდე,
ედატიური და სიმპტომური საშუ-
ტვინის შეშუპების დროს — დეჰი-
ლი თერაპია. სუნთქვის დარღვე-
ტუბაცია,, ტრაქეოსტომია (სასუნ-
იდან ლორწოს ამოსაქაჩავად, ხე-
სუნთქვისას). პროგნოზი ჩვეუ-
არგია; შეიძლება დარჩეს ნარჩენი
ი ტრავმული ენცეფალოპათიის
მე ტრავმისას გართულების (სუ-
ლი ჰემაატომა, სუბარაქნოიდუ-
ჩაქცევა)) დროულად ამოცნო-
აუცილებელია ავადმყოფის კლი-
ა პარაკლინიკური დეტალური გა-

ვნევი მანქანები, შიწყობი-
ითაც გაადაზილავენ ტვირთს ან
ხალხი ვერტიკალური ან დახ-
იმართულებით — *ლიფტები* — სა-
და სამგზაურო; ამწეები — საშახ-
ენებლო და სხვ.. უმარტივესი ტ.
კრატი, ტალი, პოლისპასტი;
ანქანებია თვითმავალი ისრიანი
უნი ამწე ან ავტოსატვირთველ-
შნულებისის მიხედვით ტ. მ. შე-
ყოს სტაციონარული, თვითმა-
გადასატანი, უწყვეტი ან წყვე-
მედებისა.. მანქანების ტვირთამწე-
ენიმე *კგ*-იდან რამდენიმე ასეულ
ნის. ტ. მ-ისა და მათი *ტვირთსატ-
ვების* კონსტრუქცია დამოკიდებ-
ასაადგილებელი ტვირთის ზომა-
და თვისებაზე, ტექნოლ. პრო-
. მ-ის დიდ ჯგუფს ქმნიან ამწე-
ური მოქმედების ტ. მ.), რ-თა
ჭაცი ორგანო წინასწარით უკუ-
მოძრაობას ასრულებს. ამწის
ლში შედის ტვირთის წამკიდებლობა,
ა ტვირთის გადასაადგილებლად
ჭვირთავაყიდ, უქმი სვლა ტვირ-
თსატაცი სამარჯვის ტვირთის
ადგილამდე დასაბრუნებლად.
რუქციისა და სამუშაოს მიღე-
მის მიხედვით ამწეები ასრის საბ-
არასაბრუნი. საბრუნ ამ-
შეიძლება ჰქონდეს რელსი-
ურელსო (ავტომობილის, პნევ-
ნი, მუხლუბა) სავალი. მათი
ა შეიძლება აგრეთვე შენობის
, და კედლებზე, პონტონებსა
ზე. საბრუნ ამწეებს განეკუთვ-
ოსიპედური ამწეც. სარკინიგ-
ეემოთვლებიან, ავტომობილისა
და მუხლუბასავალიან საბრუნ ამწეებს
ხშირად აერთიანებენ ერთ ჯგუფში და
მათ ისრიან თვითმავალ ამწეებს უწოდე-
ბენ. ამწის საბრუნი ნაწილი ეყრდნობა
სვეტს ან საბრუნ წრეს. საბრუნ ნაწილს
შეიძლება ჰქონდეს მაღალი კოშკის ან
ანძის ფორმა. მისი დაყენება შეიძლება
პორტალზე (პორტალური ამწე). საბრუნ
ამწეებს აქვს მუდმივი ან ცვლადი შვე-
რი. არასაბრუნი ამწეებია
მალიანი (ხიდური ამწეები და გადამტ-
ვირთავები) და კედლის კონსოლური ამ-
წეები. ხიდური ამწის მგორავი ხიდი გადა-
ადგილდება შენობის კედლებზე ან სპეც-
ესტაკადებზე დაგებულ რელსებზე. ხიდზე
მოძრაობს სატვირთო ამწევჯალამბრიანი
ურიკა. ზოგჯერ სატვირთო ურიკას აქვს
საბრუნი ისარი. კედლის კონსოლური ამ-
წეები შედგება კედლის კონსოლური წა-
მწისა და მასზე მოძრავი ამწევჯალამბ-
რიანი ურიკისაგან. გადამტვირთავი კონ-
სტრუქციით ხიდური ამწის ანალოგიუ-
რია, ამწისაგან განსხვავებით აქვს ლიან-
დაგზე მოძრავი მაღალი საყრდენები (ფე-
ხები). თუ გადამტვირთავს დიდი მალი
აქვს, მას ხიდურ გადამტვირთავს უწოდე-
ბენ, როცა პატარაა მალი — ჯოჯგინა ამ-
წეს. გემების ჩამტვირთავ-გასატვირთა-
ვი კონსოლური გადამტვირთავები შეიძ-
ლება დაიდგას როგორც ნაპირზე, ისე გე-
მებზე. გადამტვირთავების განსაკუთრე-
ბული ტიპია *კაბელ-ამწე*, მისი ნაირსახე-
ობა კი — ხიდური კაბელ-ამწე, რ-ის გა-
დამტანი ბაგირი ხიდური წამწის ბოლო-
ებზე მაგრდება. ამწეებთან კონსტრუქცი-
ით ახლოსაა მონორელსიანი გზა, რ-ის
ვაგონეტებსაც ამწეი მექანიზმები აქვს.
მშენებლობის თანამედროვე პირობებში
იყენებენ შვეულმფრენ-ამწეებს, რ-თაც
აქვთ ტვირთსატაცი სამარჯვები. ტ. მ-ს
განეკუთვნება აგრეთვე ამწევ-დასა-
თავალიერებელი მოწყობი-
ლობები, რ-ებსაც იყენებენ გარაჟებ-
ში ავტომობილების სიმაღლეზე ასაწევ-
ად, რათა შესაძლებელი გახდეს მასის
ქვედა ნაწილთან მისვლა და ძრავას ან
სხვა აგრეგატის მოხსნა ან დაყენება.

ტ. მ-ის ძირითადი კვანძები: ტვი-
რთის ასაწევი მექანიზმი
(შედგება მოქნილი ამწევი ორგანოსა და
ერთ- ან ორდოლიანი ჯალამბრისაგან); ბა-
გირზე ამაგრებენ სატვირთო კაკვს ან სხვა-
დასხვა ტვირთსატაც სამარჯვს; ტვირთ-
ამწევი მანქანების გადა-
საადგილებელი მექანიზ-
მი — უმეტესად ამძრავიანი თვლები,
იშვიათად — ბაგირული საწევი; ისრის
მოწყობილობები — ტვირთს გა-
დააადგილებენ არაპორიზონტალურად და
პორიზონტალურად ისრის აწევისა და და-
წევის დროს; შვერის შესაცვ-
ლელი მექანიზმი — ჯალამბრი-
ანი ისრული პოლისპასტი წინსვლით
მოძრავი ხრახნული ან ლარტყული ამძრა-
ვიანი შტანგის, ჰიდროცილინდრის, ამძ-
რავიანი კბილა სექტორის ან მრუდმხარა
მექანიზმის საბით. მექანიზმებში ამძ-
რავად იყენებენ ელექტროძრავებს (ძი-
რითადად ცვლადი დენისას), შიგა წვის
ძრავებს (უმთავრესად დიზელისას), ჰიდ-
რავ. ან პნევმ. ძრავებს.

ტ. მ-ის *ლითონკონსტრუქ-
ციები*, როგორც წესი, შენადნობია.
მათ მექანიზმებს კაბინიდან მართავს ერ-
თი ადამიანი. შესაძლებელია დისტან-
ციური მართვა სადენების ან რადიოს მეშ-
ვეობით. განსაზღვრული გრაფიკით მუ-
შაობისას შეიძლება პროგრამული მართვა.
ზოგჯერ მეამწევე სამუშაო ადგილს უკავ-
შირდება რადიოსატელეფონო და სატელე-
ვიზიო კავშირის სისტემით. მექანიზმების
დასაშუბრუჭებლად და გასაჩერებლად იყე-
ნებენ ავტომ. ან ხელით სამართავ მექან.
მუხრუჭებს. თუ ტ. მ. მუშაობს ელექტრო-
ძრავათი, შესაძლებელია ელექტრული და-
მუხრუჭების გამოყენებაც.

ლიტ.: Грузоподъемные машины, под ред. М. П. Александрова, М., 1973; Справочник по кранам, под ред. А. И. Дукельского, 2 изд., т. 1 — 2, Л., 1971 — 73 (библиогр.).


ტვირთბრუნვა, ტრანსპორტის პროდუქციის, როგორც მატერიალური წარმოების განსაკუთრებული დარგის, ძირითადი პირობით-ნატურალური ეკონომიკური მაჩვენებელი. ტ. ახასიათებს ტრანსპ. მუშაობას ტვირთის გადაზიდვის მიხედვით ქვეყანაში, რესპუბლიკებში, რ-ნებში, ცალკეულ რკინიგზებზე, საზღვ. და საჰაერო ხაზებზე, მდ-ებზე, არხებზე, ნავთობსადენებზე, აირსადენებზე. ტ-ს ანგარიშობენ გაგზავნილი ტვირთის რაოდენობისა (ტონობით — *ტ*) და გადაზიდვის მანძილის (*კმ*) გადამრავლებით. იზომება ნეტო *ტ-კმ* (საზღვ. ტრანსპორტზე ტ-მილებით, სადაც მილი=1,852 *კმ*), ე. ი. იმ მოძრავი შემადგენლობის მასის გარეშე, რ-ითაც ტვირთი გადაადგილდება (ტ. ნავსადგურებსა და სატვირთო სადგურებში იზომება ტვირთის საერთო მასით *ტ*-ში). ტ-ის მაჩვენებლებს იყენებენ ტრანსპორტის დაგეგმვისას, მოძრაობის საშუალებათა რაოდენობის, დახარჯული შრომის, მასალის განსაზღვრისას, აღჭურვილობის გაზომვისას და ა. შ.


ტვირთის სახეობების მიხედვით ტ-ს განსაზღვრავენ შემუშავებული სატრანსპ.-ეკონ. კავშირებისა და ტვირთნაკადების საფუძველზე, რ-თა მეშვეობითაც შეიძლება დადგინდეს ტვირთის გაგზავნის რაციონალური მიმართულებანი წარმოების პუნქტების განლაგებისა და მოცემული ტვირთის მოხმარების გათვალისწინებით. ტვირთნაკადების სქემებით განისაზღვრება ტვირთის მოძრაობა სატრანსპ. ქსელის ცალკეული უბნების მიხედვით და მათი მიმართულებანი.

1982 საბჭ. კავშირში საერთო და არასაერთო სარგებლობის ტ-მ შეადგინა 7251 მლრდ. *ტ-კმ*, მ. შ. თევზჭერის ფლოტის ტ-მ — 63,0 მლრდ. *ტ-კმ*.


რაიონთაშორისი გაცვლის გეგმისა და ტვირთნაკადების სქემების საფუძველზე გეგმური წესით განისაზღვრება ცალკეული მნიშვნელოვანი ტვირთის გადაზიდვის საშ. სიშორე. გეგმური წესით გადასაზიდი ტვირთის რაოდენობისა და მათი გადაზიდვის მანძილის მონაცემებით შეიძლება ტ-ის მოცულობის გაანგარიშება როგორც ტრანსპ. თითოეული სახეობის, ისე მთლიანად რესპ. მიხედვით.

1970—83 საქ. სსრ-ში ყველა სახის ტრანსპ. ტ-ის მოცულობა გაიზარდა 2-ჯერ, მათ შორის რკინიგზის ტრანსპორტისა —



ცხვირის ჭიმამყარი
ცხვირის ნაწილი
ცხვირის ნაწილი
ცხვირის ნაწილ




ა ბ




გ დ



ე



ვ



ზ

ტვირთსატაცი სამარჯვები: ა, ბ, გ, დ — უმარტივესი ტვირთსატაცი სამარჯვები; ე—სწრაფმოქმედი მარწუხული სატაცი; ვ—ექსცენტრიკული სატაცი; ზ—ბადია.

125 %-ით, საავტ. ტრანსპორტისა — 2,1-ჯერ, საჰაერო ტრანსპ. — 1,6-ჯერ, საზღვაო ტრანსპ. — 2,5-ჯერ. ტ-ის 75,4-ზე მეტი მოდის საზღვ. ტრანსპორტზე, დაახლ. 21,1 — რკინიგზაზე, 3,4% — საავტ. და 0,079% საჰაერო ტრანსპორტზე. საქ. სსრ-ში საერთო ტ-ში საზღვ. ტრანსპ. მაღალი ხვ. წ. აიხსნება დიდ მანძილზე (საზღვარგარეთ) ტვირთის გადაზიდვით (4 ათ. კმ-ზე მეტი). რკინიგზისა და საავტ. ტრანსპორტით გადაზიდვის საშ. სიშორე კი შეადგენს შესაბამისად 330 კმ და 16,3 კმ.

ე. გუგო.

ტვირთის ნაკადების რაციონალური სქემა სსრ კავშირში, ღონისძიებათა სისტემა, რ-ის მიზანია აღმოფხვრას არამწარმოებლური სახალხო-სამეურნეო დანახარჯის გამომწვევი პროდუქციის შემხვედრი, მეტისმეტად შორეული და განმეორებადი გადაზიდვა. ტ. ნ. რ. ს-ის ოპტიმალურობის კრიტერიუმად მიღებულია გადაზიდვაზე დანახარჯის მინიმიზაცია. ამისათვის კი საჭიროა გატარდეს არარაციონალური გადაზიდვის აღმომფხვრელი ღონისძიებები: წარმოების ტერიტორიულად დაახლოება ნედლეულისა და სათბობის (ენერგიის) წყაროებთან და მზა პროდუქციის მოხმარების პუნქტებთან მიტანისათვის საჭირო ტრანსპორტის უზრუნველყოფა; სახ. მეურნ. კომპლ. განვითარება ეკონ. რ-ნებში; სატვირთო გადაზიდვის სწორი დანაწილება სხვადასხვა სახის სატრანსპ. საშუალებებს შორის და მათი გამოყენების სფეროების ეკონ. მიზანშეწონილობის გათვალისწინება; მატერ.-ტექ. მომარაგებისა და გასაღების დაგეგმვის სრულყოფა და სხვ.

ტ. ნ. რ. ს-ის შედგენა თანამედროვე პირობებში ხორციელდება მათ. მეთოდებითა და ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით. წარმოებისა და მოხმარების პუნქტების მოცულობისა და რ-ნების მიხედვით დგება და წყდება ე. წ. სატრანსპორტო ამოცანა, რის შემდეგ მტკიცდება ნორმალური ტვირთნაკადების სქემები ყოველი ცალკეული მასობრივი ტვირთის მიხედვით. ეს სქემები აუცილებელია ტვირთის გამგზავნი და სატრანსპ. ორგანიზაციებისათვის. ტ. ნ. რ. ს-ების დამუშავება და გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს სახ. მეურნ. დანახარჯს გადაზიდვაზე (საშ. 4-6%—ით). რაც შეეხება დეცენტრალიზებული წესით წარმოებულ და მოხმარებულ პროდუქციას (მაგ., ავური, ადგილ. საშენი მასალა, რკინაბეტონის ნაკეთობა). მათ გადაზიდვაზე ტ. ნ. რ. ს-ის გამოყენება საშუალოდ 20%-ით ამცირებს დანახარჯს.

პერსპექტიული დაგეგმვის დროს, როცა ერთდროულად წყდება წარმოების განლაგებისა და ტ. ნ. რ. ს-ის დამუშავების ამოცანა, ოპტიმალურობის კრიტერიუმად მიიღება ამ თუ იმ პროდუქციის დამზადებასა და გადაზიდვაზე სახ. მეურნ. ჯამური დანახარჯების მინიმიზაცია.

ა. ძოძუაშვილი.

ტვირთსატაცი სამარჯვები, ტვირთამწევი მანქანების დამხმარე მოწყობილობები, რ-თა მეშვეობით ტვირთს წაიტაცებენ, გადაადგილებისას ჩაიჭერენ და ასრულებენ განტვირთვის ოპერაციებს. ტვირთს უშუალოდ წაიტაცებენ კაკვებით, რ-ებსაც საჭიროების შემთხვევაში უმატებენ სხვა სამარჯვებსაც. ტ. ს. მუშაობის პროცესში უნდა იყოს მოსახერხებელი და უსაფრთხო, სწრაფად უნდა იტაცებდეს და ათავისუფლებდეს ტვირთს. ტ. ს-ს შეარჩევენ გადასაადგილებელი ტვირთის თვისებების, ზომის, ფორმის, მასისა და საწარმოო პროცესის ხასიათის მიხედვით. განასხვავებენ ცალობითი, ფხვიერი და თხევადი ტვირთის გადასაადგილებელ ტ. ს-ს. ისინი შეიძლება იყოს ხელისა ან ავტომატური.

ყველაზე მარტივია ცალობითი ტვირთისათვის განკუთვნილი ბაგირული ტ. ს., რ-ებიც ბაგირის ან შენადული ჯაჭვების მონაკვეთებია; ბოლოებზე აქვთ კაუჭები ან კაკვები (ნახ. ა-დ). გავრცელდა სწრაფმოქმედი მარწუხული (ნახ. ე) და ექსცენტრიკული (ნახ. ვ) სატაცები. ფხვიერ ტვირთს გადაზიდავენ ბადიებით, კიუბელებით, გრაიფერებით (ნახ. ზ, თ, ი), თხევადს კი — ბადიებით, ციცხვებით და სხვ. შავი ლითონების ნაკეთობათა გადასაზიდად იყენებენ ელექტრომაგნიტს (ნახ. კ). სწორი ბრტყელი ზედაპირის მქონე ტვირთის (ფურცლები, სამშენებლო ბლოკები და სხვ.) გადასაზიდად კი — ვაკუუმურ სატაცებს.

ტვიროსი (Tyros, ბიბლ. ზ ო რ, ახლანდ. ს ურ ი ლიბანში), ძვ. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპიროზე, სიდონის სამხრ-ით. ძვ. წ. III—II ათასწლ. მსხვილი ხელოსნურ-სავაჭრო ცენტრი. განთქმული იყო მეწამული ფერის შალის ნაწარმით, სპილოს ძვლისა და მინის ნაკეთობებით. ძვ. წ. II ათასწლეულში ეგვ. გავლენის ქვეშ იყო. ძვ. წ. II ათასწლ. ბოლოს — ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ტ-მა დაარსა კოლონიები ხმელთაშუა ზღვის კ-ებზე (კვიპროსი, სიცილია და სხვ.), ჩრდ. და დას. აფრიკასა (უტიკა, კართაგენი და სხვ.) და ესპანეთში. ძვ. წ. X ს-ში ტ-ის მეთაურობით შეიქმნა ტვიროს-სიდონის სამეფო. ძვ. წ. VIII ს-იდან ტ. ასურეთის ემორჩილებოდა. ძვ. წ. VI ს. II ნახევრიდან აქემენიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო ავტონ. უფლებით. ძვ. წ. 332 ალექსანდრე მაკედონელმა მხოლოდ 7-თვიანი ალყის შემდეგ შეძლო ტ-ის აღება. ახ. წ. 64-იდან რომის პროვინციაში — სირიაში შედიოდა (ისევ ავტონ. უფლებებით). VII ს-მდე აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთის მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო. ტ-ს იკვლევდნენ ფრანგი არქეოლოგები ე. რენანი (XIX ს. II ნახ.), ა. პუადებარი (XX ს. 40-იანი წლები).

ლიტ. F l e m i n g W. B., The history of Tyre, N. Y., 1915.

ტვისტრონი (ინგლ. twystron<klystron — *კლისტრონი*; kl-ის tw-თი შეცვლით, შემოკლ. travelling wave — *მსრბოლი ტალღა*), მრავალრეზონატორიანი მაძლიერებელი კლისტრონი, რ-ის გამოსავალი რეზონატორი შეცვლილია შეკავშირებული რეზონატორების სისტემით. ტ-ში კათოდიდან ამოფრქვეული ელექტრონები ჯერ გაივლიან კლისტრონულ რეზონატორს, სადაც ისინი დაჯგუფდებიან (შედედდებიან), როგორც კლისტრონში, ხოლო შემდეგ შეკავშირებული რეზონატორების სისტემაში აღაგზნებენ მსრბოლ ტალღას; მასთან ურთიერთმოქმედებისას ელექტრონების კინეტიკური ენერგიის ნაწილი გარდაიქმნება ზემაღალი სიხშირის რხევების ენერგიად (როგორც *მსრბოლი ტალღის ელექტრონმილაკში*). შეკავშირებული რეზონატორების სისტემა ზრდის სამუშაო სიხშირის დიაპაზონს. ტ. არის ყველაზე ფართოზოლიანი მაძლიერებელი ხელსაწყო, რ-იც მუშაობს *სმ*-იანი ტალღების დიაპაზონში (5—10 *სმ*). იყენებენ მძლავრ *რადიოლოკაციურ სადგურებში.*

ტვიფვარა, ტყავის, ფურცლოვანი ლითონის, ხავერდისა და ზოგიერთი სხვა მასალის (ბუქვოს და ა. შ.) მხატვრული დამუშავება, რ-ის მიზანია მათ ზედაპირზე რელიეფურ გამოსახულებათა მიღება გამოწნეით. ლითონის ტ-თვის რელიეფურნახატიან ლითონის ან ქვის მატრიცაზე ადებენ ლითონის ფურცლებს, მათზე აფენენ რბილ შუასადებს (ტყავის, ტყვიის) და შემდეგ ჭედავენ. ამ ხერხს, რ-იც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. ეგვიპტის, შუა საუკ. საქართველოსა და სხვა ქვეყნების ხელოვნებაში, იყენებდნენ სამკაულების მასობრივი დამზადებისას. XX ს-ში ლითონის ტ. ხდება ხრახნიანი წნეხის მეშვეობით. ტყავის ტ. ხორციელდებოდა გახურებული ლითონის მატრიცების მეშვეობით და გამოიყენებოდა წიგნის ყდისათვ XII ს-ში. ტ-ის ეს ტექნიკა გავრ ლია, კერძოდ სსრკ ბალტიისპირ პუბლიკების დეკორ.-გამოყენებით ლოვნებაში. ნატვიფრ მოხატულო ვერდზე გამოწნევით აკეთებდნენ ლებული რკინის წნეხების მეშვეობ ლიგრაფიაში ტ-ით აკეთებენ ნახ შრიფტის გამოსახულებას ყდაზე, ზე ან მუყაოზე (პროცესი სრულდ სავარაყებელ წნეხზე). განასხვავე ლიეფურ (ე. წ. კონგრევული) და ბრ ჩაღრმავებულ ტ-ს.; ტ. შეიძლებ უსაღებავო (ე. წ. ბლინტური) ბავიანი.

ტვიფრი, რაიმე მასალაზე (მაგ., ზე) პირუკუღმა ამობურცული (გამოსახულება, ნიშანი) ანაბეჭდ საღებად, — შტამპი.

ტვიში, სოფელი ცაგერის რ-ნ რიონის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭო რი (სოფლები: ტ., ლახეფა, ორხ რენიში). ზ. დ. 400 *მ*, ცაგერიდან კილ-ბა (მევენახეობა), ღვინის ქ სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანა ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. სოფლის მახლობლად არის *ტვიშის ღვეები.*

ტვიშის მღვიმეები, მღვიმეები ლის მასივზე, მდ. რიონის აუზში ტვიშის (ცაგერის რ-ნი) მახლ მღვიმეები მშრალია, ორივეს შესა ამოშენებულია დუღაბის კედლით, მეში აღმოჩენილია არქეოლ. (ძვლები და სხვ.), II მღვიმეში რიალური კულტ. ნაშთები (კერა სხვ.).

ტიამპა, ჩ ა მ პ ა, სახელმწიფო, ს-ში დააარსეს „პროტოინდონეზიელ ტიამის ხალხმა ახლანდ. ვიეტნამის ნაწილში. სავარაუდოა, რომ ტ. პირველად ადრეკლასობრივი სა ფო იყო. V ს-იდან განვითარდა ურთიერთობა. ტ. სარწყავი მიწა დების (ბრინჯი), ხელოსნობის, ვა და გემთმშენებლობის ქვეყანა იყო ან ცნობილია სამხრ. ინდურ გრ დაფუძნებული წერილობითი ძეგლე ში ტ. ჩინ. ვასალი გახდა. XI ს-იდ სახელმწიფოსთან — დაივიეტთან ბის შედეგად ტ-ის საზღვრებმა თ ნობით სამხრ-კენ გადაიწია. 1471 მა ტ-ზე გადამწყვეტი იერიში მი

ტიან-შანი (ჩინ. ც ი უ რ ი მ მთათა სისტემა შუა და ცენტრ. გადაჭიმულია დას-იდან აღმ-კენ ზე. დას. ნაწილი (1200 *კმ*) სსრ რიტორიაზეა, აღმ. ნაწილი — ჩინ რიტორიაზე. ჩრდ-ით ბოროპოროს უერთდება ჯუნღარის ალათაუს, ს ჰისარ-ალაის სისტემით — ალაის ტ.-შ-ის ცენტრ. ნაწილში აღმა გამარჯვების პიკი (7439 *მ*) და ხ რი (6995 *მ*). გამოიყოფა შემდეგი ფიული ერთეულები: ჩ რ დ . ტ თმენის ქედი, ილისიჭითა ალათა გეი ალათაუ და ყირგ. ალათაუ) ტ.-შ. (თალასის ალათაუ, ჩა ფსქემის, უგამის, ყარათაუს ქედებ გა ტ. -შ. (თერსქეი-ალათაუ, ბ დოი, ათბაში და სხვ.) და აღ მ. რ-შიც მთათა ორი სარტყელია: ჩ რტყელი (ბოროპოროს, ირენ-ხა ბოგდო-ულის, კარლიკტაგის ქედე სამხრ. სარტყელი (ხალიჭთაუ, ულა, კურუგტაგის ქედები). აღმ. მთისწინეთში არის ტურფანის ქ ხამის ღრმული. ტ.-შ-ის სიმაღლე რესად 4000—5000 *მ*-ია. მაღალმთ ნაში მყინვარული რელიეფი და გამყინვარებაა (ფართ. 10,2 ათ აქ არის მყინვარები: სამხრ. ი (სიგრძე 59,5 *კმ*) და ჩრდ. ი (სიგრძე 38,2 *კმ*). 3200 — 340 ზევით მარადი მზრალობაა. ქედებს შორის მოქცეული ვრცე

ის ნაწილი ტბებს უკავია (ისიქ-ი, ნაწილი — ფართო ხეობებს (ფე-ს, ნარინისაა და სხვ.). ტ.-შ.-ა აგე-ი პალეოზოურამდელი და პალეო-ი ასაკის ქანებით, მთათაშორისი ეები — მეზოზ-კაინოზოური ნალექე-ჩრდ. ტ.-შ-ში გამოყოფენ კალედო-ატრუქტურებსს, ცენტრ. და სამხრ. მი — ჰერცინურულ სტრუქტურებს. წია-ლიდან არიის ვერცხლისწყლის, ს, ტყვიის, ითუთიის, კალის, ვოლფ-, დარიშხანისს, ვერცხლისა და ოქროს ოები, აგრეთვე ფოსფორიტები და ნშირი.

ა მკვეთრად კონტინენტურია, მშრა-ნალექები მაიტულობს სიმაღლის მა-თან ერთად 150-იდან 800—1600 *მ*-ელიწადში. მთათაშუა ქვაბულებში 100 *მმ* წელიწადში. თოვლის მიჯნა რეობს 3600—3800-იდან (ჩრდ.-დას.) -4450 *მ*-მდე (ცენტრ. ტ.-შ.), აღმ. ეში — 4000—4200 *მ* სიმაღლეზე. ინარეთა უმძრავლესობას მყინვარებ-ს სათავე და ერთვის გაუდინარ ტბათა ს. მთავარი მდ-ებია: ნარინი, ყარა-ა (სირდარიის აუზი), თალასი, ჩუ, მანასი, ტაბრიმი, კონჩედარია. მდ-მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით ანის ჰესებისს კასკადი, უჩკურღანის, ოგულისა და სხვ. ჰესები), იყენებენ ქავად. დიდი ტბებია: ისიქ-ქოლი, სო-ი, ჩათირქოლი, ბაგრაშქოლი. ტ.-შ-ალთების ქვეყედა ნაწილში გაბატონე-ა უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს ლან-ტები, ნატრიისფერი ნიადაგი. 1000—იდან 2600—3000 *მ*-მდე მთის სტე-სადაც ჭარბობს ღია წაბლისფერი აგი. ტყე გვხვდება სტეპებთან და ოებთან ერთად. ხარობს ბუჩქოვანი ბი, ფოთლოვანი ტყე (სემიონოვის რჩხალი, ვერხვი, გარეული გარგარი, ული ვაშლი). ფართოფოთლოვან ზევით ცენცლის წიწვნარი (ნაძვი, და სხვ.), უფრო ზევით სუბალპ. ალპ. მდელოებია. შიგა და ცენტრ. -ში მთის სტეპი და ნახევარუდაბნო-

ს. -შ-ში ბინადრობს: ჯეირანი, ქრცია-კურდღელი ტოლაი, თრია, მიწის ღელი, მექვიშია, ბრუცები, ტყის თა-გარეული ღორი, ფოცხვერი, მურა ი, მაჩი, მგელი, მელა, კვერნა, მთის არხარი, ყაყრყუმი, იშვიათად ირბისი; არმავლებიდან — მაბრჩობელა გეგ-ხვლიანები, ფრინველებიდან — ალპ. რქოსანი ტეტორღა, მთიულა, ჰიმა-ური შურთხი, სვავი და სხვ. ტ.-შ-ის ოურ ნაწილში ნაკრძალებია.

ტია (აინურად ჩაჩა-ნუპუ-, სიტყვასიტყვით — მამა მთა), მოქ-ვულკანი კ. კუნაშირის ჩრდ.-აღმ. ლში (სსრკ., კურილის კ-ები). სომა-ევის ტიპისაა („ვულკანი ვულკანში"). ლე 1822 *მ*). სომის წაკვეთილი კონუ-შეფარდებითი სიმაღლეა 1485 *მ*, ფუ-დიამეტრი —16—18 *კმ*, წრიული თხე-მისა — 2,4 *კმ*-მდე. კალდერის ფსკერზე აღმართულია 250 *მ* სიმაღლის ცენტრ. კონუსი. უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა 1973. აგებულია ბაზალტებითა და ანდე-ზიტებით. ძირი შემოსილია წიწვნარითა და ფართოფოთლოვანი ტყით, ზევით ქვის არყის რაყები და ქონდარა ვიწყება.

ტიაუანაკო (Tiahuanaco, Tiwanaku), ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოსა და ახ. წ. I ათასწლეულის ინდიელთა ცივილი-ზაცია. გავრცელებული იყო ბოლივიის ჩრდ. ნაწილში, ცენტრი — ტიტიკაკის ტბის სამხრ.-აღმ-ში, სადაც გაითხარა 40 ჰა ფართობის ნაქალაქარი. გამოვლინდა ბა-ზალტისა და ქვიშაქვის ბლოკებით ნაგები საცხოვრებელი უბნები, მ. შ. აკაპანის 15-მეტრიანი პირამიდა; კალასასაიის სატაძ-რო კომპლექსი, რ-საც თავდაპირველად გა-ლავანი შემოუყვებოდა, შესასვლელთან კიბეები ჰქონდა. მასში შედიოდა მონოლი-თური „მზის კარიბჭე", რ-ის ფრიზზე ღვთაება და მისკენ მიმართული ფანტასტ. არსებებია გამოსახული; ე. წ. „სარკოფაგე-ბის სასახლე", ძვ. ნაგებობათა ნანგრევე-ბი. ნაპოვნია აგრეთვე ქვის უხვად ორნა-მენტირებული ქანდაკებანი, მოხატული კერამიკა და სხვ. ტ-ს კულტურა შექმნეს პერუს ცენტრ. ნაწილში მცხოვრებთა მო-ნათესავე ტომებმა, რ-ებიც მიწათმოქმე-დებას მისდევდნენ, მოშინაურებული ჰყავ-დათ ლამა და სოციალურად კლასობრივი საზ-ბის ზღვარს მიაღწიეს. ახ. წ. I ათასწლ. დასასრ. ტ-ს გავლენა დიდ ტერიტორიაზე გავრცელდა, განსაკუთრებით კი — ანდე-ბის ოლქის ძვ. ხელოვნებაზე, ახ. წ. I ათას-წლ. ბოლოს ტ-მ შეწყვიტა არსებობა და მისი ტერიტ. ახლანდ. აიმარას ინდიელ-თა ტომებმა დაიკავეს.

ტიბა, ქალაქი და ნავსადგური იაპონია-ში, კ. ჰონსიუზე, ტოკიოს ყურის ნაპირ-ზე. ტიბის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 746 ათ. მცხ. (1980). ფერადი და შავი მეტალურგია, ნავთობქიმ., საფეიქრო, ხის დასამუშ., კეების, ქიმ., გემთსაშენი მრეწ-ველობა.


ტიბა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონ-სიუს სამხრ.-აღმ. სანაპიროზე, უმთავრე-სად ბოსოს ნ.-კ-ზე. ფართ. 5 ათ. *კმ*². მო-სახლ. 4,9 მლნ. კაცი (1982), აქედან დაახლ. 70% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც.—ქ. ტიბა. ტ. ეკონომიურად განვითარებული პრე-ფექტურაა; შედის კანტოს ეკონ. რ-ნში. განვითარებულია მეტალ., ნავთობგადა-სამუშ., ქიმ., კეების, ლითონდასამუშ., მანქანათსაშ. მრეწველობა. იღებენ ბუ-ნებრივ აირს. მოჰყავთ უმთავრესად ბრინ-ჯი, აგრეთვე ხორბალი, ქერი, ბოსტნეუ-ლი, ბაღჩეული (საზამთროს მოსავლით ტ. I ადგილზეა ქვეყანაში). სარძეო-სა-ხორცე მეცხოველეობა. თევზჭერა.

ტიბაანი, სოფელი სიღნაღის რ-ნში, გომ-ბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები. ტ., პრა-სიანი). ზ. დ. 360 *მ*, სიღნაღიდან 14 *კმ*, წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვრე-ობა, მეცხოველეობა), მეცხვარეობის სა-მეურნეოთშორისო გაერთიანება, ღვინისა და ეთსანიტ. ქ-ნები. სამ. და საღამოს (ცელიანი) სკოლები, სამუსიკო სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტსახლი, 3 ბ-კა, ამ-ბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. VI—IX სს. ხირსის მონასტერი.


ტიბარენები, სამხრ.-აღმ. შავიზღვისპი-რეთში კოტიორასა (ახლანდ. ორდუ) და პონტოს მთებს შორის მობინადრე ძვ. ტო-მები. ბერძენ-რომაელი და ბიზანტ. მწერ-ლების ცნობით, ტ-ის აღმ-ით *მოსინიკები* ბინადრობდნენ. დას-ით—*ხალიბები* და ლე-გეკოსირები, სამხრ-ით — *მოსხები*. ტ-ის სახელწოდების რამდენიმე პარალელური ფორმაა დადასტურებული („ტიბარები", „ტიბარანები", „ტაბერენები" და სხვ.). ქა-რთველი მკვლევრები ტ-ს დასავლურ-ქარ-თველურ ტომთა რიცხვს მიაკუთვნებენ. *ჰეროდოტეს* (ძვ. წ. V ს.) ცნობით, მოს-ხებთან, *მაკრონებთან*, მოსინიკებთან და *მარებთან* ერთად ტ-ც აქემენიდთა სპარს. სამეფოს მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ და მათთან ერთად ყოველწლიურად იხდიდ-ნენ ხარკს — 300 ტალანტს. მონაწილეობა მიუღიათ სპარს. მეფის ქსერქსეს ლაშქრო-ბაში საბერძნეთზე, ტ-სა და მოსხებს წინა-მძღოლობდა არიომარდე. ტ-ს მოსხების მსგავსი სამხ. აღჭურვილობა ჰქონდათ *ქსენოფონტის* (ძვ. წ. IV ს.) მიხედვით, რ-იც თავისი აღწერილი ამბების თვით-მხილველი იყო, ტ-ს შავი ზღვის სანაპი-როზე არცთუ ძლიერად გამაგრებული და-სახლებები ჰქონიათ. ქსენოფონტი იხსე-ნიებს აგრეთვე ტ-ის ქვეყანაში მდებარე ელინურ ქალაქს კოტიორას, რ-იც სინოპელ-თა მიერ დაარსებული ახალშენი ყოფილა. ტ-ის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგი-ლი ეკავა მესაქონლეობას.

ლიტ.: ხ ა ზ ა რ ა ძ ე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გა-ერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959. *ნ. ხაზარაძე.*


ტიბერიადის ტბა, გენესარე-თის ტბა, ბაჰრ-ტაბარია, ტბა პალესტინის ისტორიულ ოლქში, ისრა-ელის ტერიტორიაზე (აღმ. სანაპირო სი-რიისა და ისრაელის საზღვართანაა). მდე-ბარეობს გჰორის ტექტონ. ქვაბულის ჩრდ. ნაწილში, ზ. დ. 212 *მ*-ით დაბლა. ფართ. 145 *კმ*², სიღრმე 48 *მ*-მდე. დას. და აღმ. ნაპირები კლდოვანია, ჩრდ. და სამხრ.— დამრეცი. ტ. ტ-ში გაედინება მდ. იორდა-ნე. მდიდარია თევზით.



თ




ი




კ

ტვირთსატაცი სამარჯვეები: თ—კოუბელი; ი—გრაიფერი; კ—ელექტრომაგნიტი.

ტიან—შანი.





ტიბერიუსი კლავდიუს ნერონ (Tiberius Claudius Nero) (ძვ. წ. 16. XI. 42 — ახ. წ. 16. III. 37), რომის იმპერატორი 14-იდან. *ავგუსტუსის* გერი, იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა ახ. წ. 4. ტ-ს უნდო, ეჭვიანი და სასტიკი ხასიათი ჰქონდა. ტახტზე ასვლისთანავე პანონიის ლეგიონები აუჯანყდნენ (აჯანყება მისმა ვაჟმა დრუზუსმა ჩაახშო). 14—15 რომაელებმა გერმანიკუსის სარდლობით ილაშქრეს გერმანიაში; 21 აჯანყდა გალია, 17—24 — ნუმიდია. აღმოსავლეთში გრძელდებოდა ბრძოლა პართიასთან. არმენია, კაპადოკია და კომაგენე კვლავ რომის გაელენის ქვეშ მოექცნენ. ფინანს. კრიზისის დაძლევის მიზნით ტ-მა შეზღუდა ხარჯები სახ. მშენებლობაზე და სანახაობებზე. სახ. კრება გააუქმა და მაგისტრატოსთა არჩევა სენატს გადასცა. მალე აღარც სენატს ენდო და დაიწყო სენატორთა დევნა. მან პირველმა შემოიღო სასამართლო პროცესები — „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის". ეყრდნობოდა პრეტორიანებსა და მათ პრეფექტებს, ჯერ სეიანეს, შემდეგ კი (30-ის შემდეგ) მაკრინუსს. შეთქმულების შიშით შეპყრობილმა ტ-მა 26 რომი მიატოვა და კ. კაპრიზე გადავიდა. მაკრინუსის ბრძანებით ავადმყოფი ტ. საბნებით მოგუდეს.

ლ. სანიკიძე.

ტიბესტი (Tibesti), მთიანეთი ცენტრ. საჰარაში (ჩადის რესპ.). სიმაღლე 3415 *მ*-მდე (ვულკ. ემი-კუსი). აგებულია კრისტ. ფიქლებით, ლავებითა და ქვიშაქვებით. დანაწევრებულია დროებითი ნაკადების ღრმა ხეობებით. ნალექები 100 *მმ*-ზე ნაკლები წელიწადში. მთისძირის გასწვრივ და ხეობებში 1200 *მ* სიმაღლემდე ხარობს ფინიკის პალმა, აკაცია და სხვ., 1600—1800 *მ*-მდე — აბზინდა და მარცელოვნები, უფრო ზევით — მთის ნახევარუდაბნოს მცენარეულობა.

ტიბესტელები (საკ. სახელწ. — ა ი ო ბ ა), ხალხი, ტიბეტის ძირითადი მოსახლეობა. უმრავლესობა ცხოვრობს ჩინეთში, ნაწილი — ინდოეთში, ნეპალსა და ბუტანში. საერთო რაოდ. 5 მლნ-მდე კაცი (1978, შეფასება). ლაპარაკობენ ტიბ. ენაზე. რელიგია — ლამაიზმი. ტ-ის ნახევარზე მეტი მისდევს მთის ბინადარ მიწათმოქმედებას, აგრეთვე ნახევრად ბინადარ მიწათმოქმედება-მესაქონლეობას და მომთაბარე მესაქონლეობას. განვითარებულია ხელოსნობა (მეთუნეობა, რთვა, ღვითონის დამუშავება). ბინადარი ტ. ცხოვრობენ ქვის, აღმ. ზეგანზე — თიხის, ჩრდ.-აღმ-ით — ძელურ სახლებში, მომთაბარეები — კარვებში. გავრცელებულია მამაკაცისა და ქალის ტრად. ტანსაცმელი — ჩუბა, მაღალსაყელოიანი და გრძელსახელოებიანი გრძელი ხალათი. XX ს. 60-იან წლებამდე ტ. იყოფოდნენ 2 ძირითად კლასად — ფეოდალებად (5%) და ყმა გლეხებად. მესაქონლეებში კლასობრივი დიფერენციაცია ნაკლებად იყო გამოხატული. საოჯახო ყოფაში გვხვდება *პოლიანდრია* და *პოლიგინია*.

ტიბეტის ავტონომიური რაიონი, ტ ი ბ ე ტ ი (ჩინ. ს ი ძ ა ნ ი), ავტონომიური რ-ნი სამხრ.-დას. ჩინეთში, *ტიბეტის მთიანეთის* ფარგლებში. ფართ. 1221 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,9 მლნ. კაცი (1982). ადმ. ც. — ქ. ლჰასა. მოსახლ. 96%-ს შეადგენს ტიბეტელები.

მეურნეობა. ეკონ. წამყვანი დარგია სოფ. მეურნეობა. მთლიანი პროდუქციის 60%-ზე მეტს იძლევა მიწათმოქმედება. მდინარეთა ხეობებში და მთის კალთებზე ქერის, შვრიის, ბარდის, წიწიბურას ნათესებია, სამხრ.-აღმ-ით — ხორბლისა და ბრინჯის. მოჰყავთ კარტოფილი, თალგამი, ხახვი, ვაშლი, მსხალი. მისდევენ მომთაბარე მესაქონლეობას (იაკი, ცხვარი, თხა, ცხენი, ვირი, ჯორი). მეცხოველეობის მნიშვნელოვანი პროდუქციაა მატყლი. მიწათმოქმედების მეურნეობებში აშენებენ ღორსა და ბროხას.

მცირე რაოდენობით იღებენ ქვანახშირს, ქვამარილს, ოქროს. არის რამდენიმე პესი. ენერგეტ. მოწყობილობისა და თუჯის სხმულის, ტყავის, ხალიჩების, ხე-ტყის ხერხი, აგურის, ფარმაცევტული წარმოება. საფეიქრო მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია ლჰასა, ჩამდო, შიგაძე, ჯანგძე. ტ. ჩინ. სხვა ნაწილებს უკავშირდება საავტ. გზით.

ისტორიული ცნობა. დაახლ. ძვ. წ. VI—V სს-ში ტ-ში კუკუნორის რ-ნიდან გადმოსახლებული ციანების ტომების ადგილ. მოსახლეობასთან შერევის შედეგად შეიქმნა ტიბეტელი ხალხის ბირთვი. VII ს. დასაწყისში იარლუნგის (ტ-ის სამხრ. აღმ. ნაწილი) გამგებელმა ნამრიმ გააერთიანა ყველა ტიბეტური ტომი. მისი ვაჟი სრონძანგამპო (გ. 649) ითვლება ტიბეტის იმპერიის (VII—IX სს.) დამაარსებლად. VII ს. I ნახევარში ტ-ში შეიქმნა დამწერლობა. VII—IX სს-ში ჩამოყალიბდა ფეოდ. საწარმოო ურთიერთობანი, 787 სახელმწ. რელიგია გახდა *ბუდიზმი*. XIII—XIV სს-ში ტ-ში მონღოლები ბატონობდნენ. XIV ს. დასასრ. —XV ს. დასაწყისში ბერმა ძონკაბამ დააარსა ახ. ბუდისტური სექტა გელუგბა (ე. წ. ყვითელქუდიანები). XVI ს-იდან მისი მეთაური *დალაი-ლამის* ტიტულს ატარებდა. იგი ქვეყნის სას. და საერო მეთაური გახდა. XVII ს. შუა წლებში ტ-ში წარმოიშვა პანჩენ-ლამების ინ-ტი — ლამაისტური ეკლესიის მეორე იერარქია დალაი-ლამის შემდეგ. XVIII ს. შუა წლებიდან ტ-ის აღმ. და ჩრდ.-აღმ. ოლქები ცინის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და უშუალოდ დაემორჩილა მანჯურიელთა ხელისუფლებას, 1792-თვის ცინის იმპერიის შემადგენლობაში ტ-ის დანარჩენი რ-ნებიც შევიდა. XIX ს. დასასრ. ტ. დიდი ბრიტ. ექსპანსიის ობიექტი გახდა. 1904 წ. 7 სექტ. ტ-ის ხელისუფალთ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რ-იც დიდ ბრიტანეთს მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა ტ-ში. ამან რუს. მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1907 წ. 31 აგვ. ინგლ.-რუს. შეთანხმებით ორივე მხარემ ივალდებულა ტ-ის ტერიტ. მთლიანობის პატივისცემა, მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. *სინხაის რევოლუციის* (1911—13) დროს ცინების ჯარი და მოხელეები ტ-იდან განდევნეს, მე-13 დალაი-ლამამ კავშირი გაწყვიტა პეკინთან. II მსოფლიო ომის (1939—45) დამთავრების შემდეგ ტ-ში აშშ გააქტიურდა. 1949 წ. 4 ნოემბ. ოფიციალურად გამოცხადდა ტ-ის დამოუკიდებლობა. 1951 წ. 23 მაისს პეკინში ჩინ. სრ-სა და ტ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას ტ-ის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებების შესახებ", რ-იც ტ-ს ჩინ. სრ-ის შემადგენლობაში ეროვნ. ავტონომიის უფლებას აძლევდა. 50-იანი წწ. II ნახევარში ტ-ში მდგომარეობა დაიძაბა. 1959 მარტში დაიწყო აჯანყება ლჰასაში. მე-14 დალაი-ლამა ინდოეთში გაიხიზნა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ტ-ში ჩამოყალიბდა სამხ.-საკონტროლო კომიტეტების სისტემა. 1965 შეიქმნა ტ-ის ავტონ. რ-ნი.

ლიტერატურა. ტ-ის წერილობითი ლიტ-რის წარმოშობა დაკავშირებულია ბუდიზმის გავრცელებასთან (VII ს.). VII ს. შუა წლებში სანსკრიტიდან ითარგმნებოდა ბუდისტური ტექსტები, იქმნებოდა ორიგინ. ნაწარმოებებიც. ამავე პერიოდში აღმოცენდა ძვ. ინდ. პოემის „რამაიანას" ტიბეტური ვერსიაც. XI—XIV სს-ში ერთიანი სახელმწიფოს დაშლამ განაპირობა ლიტ-რის დეზინტეგრაცია. ლიტ-რა ვითარდებოდა სხვადასხვა ბუდისტურ სექტებსა და მონასტრებში. კაჯუდ-პას სექტის წევრი იყო დიდი პოეტი მილარეპა (1040—1123). კადამ-პას სექტის წევრები ქმნიდნენ ფსიქოლ. ტრაქტატებს, ს კა-პას წევრები — თხზულებებს ბუდი ეზოთერული მოძღვრების, ლოგიკის, მეცნიების თეორიის, ლიტ-რისა და მატიკის საკითხებზე. XI—XIV სს-ში მოყალიბდა ტ-ის ლიტ-რის ტრად. თარგმნილი თხზულებები (ბუდისტ კანონი), ტიბეტელ აეტორთა ორი თხზულებები — რელიგ.-ფილოს. ტ ტატები (კანონის კომენტარები), შრომები (ბუდიზმის ისტორია), ჰაგრაფიული (ცხოვრებანი და ბიოგრა ბი), თხრობითი დიდაქტ. (სწავლანი, რიგებანი) და ეპისტოლური თხზულ ბი.

XVIII ს-ში მე-6 დალაი-ლამამ ცან ჯამცომ (1683—1706) შექმნა საერო ლ პოეზია, მაგრამ ეს ტრადიცია არ გაგრ ლებულა. XX ს. 50-იან წლებამდე საერო ლიტ-რა აღარ არსებობდა. XV —XVIII სს. ტ-ის ლიტ-რის განვითარ ში მონაწილეობდნენ ხალხები, რ-ებმაც იღეს ლამაიზმი (მონღოლები და სხვ.).

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნ ტ-ის ხელოვნ. მნიშვნელოვანი ძეგლ შექმნილია ფეოდ. ხანაში. შუა საუკ. ქიტ. ძეგლები პირქუში და მონუმენტურ ლაკონიურია. მთის მწვერვალებზე ნებდნენ ციხესიმაგრე — ციხე-დარბაზ (ძონგები). საკულტო ნაგებობებს კუთვნება ჩორტენები (სუბურგანები) ლამების აკლდამები, მემორიალური გებობები და მონასტრები. შუა საუკ. სახლეთა დამახასიათებელი ნიმუშია სახლე — ციხესიმაგრე პოტალა ლჰასა საცხოვრებელი წარმოადგენდა გეგმ ოთხკუთხა ციხესიმაგრის ტიპის ნაგე ბას. ტ-ის შუა საუკ. სახვ. ხელოვნება ე რჩილებოდა ბუდისტურ (ლამაისტურ) გმატიკას. ვითარდებოდა უპირატესად ნასტრებში, სადაც იქმნებოდა კედლის ტერობა, ხატები „ტან-კა". შუა საუკ. დაკების ნიმუშებია კლდეში გამოკვეთ ლი შეღებილი საკულტო რელიეფე ღვთაებათა ხის, თიხის ან ლითონის ქ დაკებები. .

თითქმის XX ს-მდე შემოინახა დეკო გამოყენებითი ხელოვნ. ტრადიციები: ქ გვა, ბრინჯაოს საკულტო და საყოფაცხ რებო ნივთების, საკრავების დამზადე ხალიჩების ქსოვა და სხვ.

ლიტ.: Тибетская литература, ვ Кычанов Е. И., Савицкий С., Люди и боги Страны снегов, М., 197 Stein R. A., Civilisation tibétai P., 1962.

ტიბეტის მთიანეთი, მთიანეთი ცენ რალურ აზიაში, უმთავრესად ჩინეთ ფართ. დაახლ. 2 მლნ. *კმ*², საშ. სიმაღლ 4—5 ათ. *მ*. დას-ით ესაზღვრება ყარაყ რუმი, ჩრდ-ით კუნლუნი, აღმ-ით ჩინე ტიბეტის მთები (ზოგჯერ ამ მთათა სი ტემებსაც აერთიანებენ ტ. მ-ში), სამხრ — ჰიმალაის მთები. ტ. მ-ის ჩრდ. და ცენტ ნაწილში (ადგილ. სახელწ. ჩ ა ნ გ ტ ნ) 4600—5200 *მ* სიმაღლეზე მდებარ სუსტად ბორცვოვან და ბრტყელ ვაკეე ცელის განედური და სუბგანედური შინ რთულების მოკლე ქედები (სიმაღლ 6000 *მ*-მდე). მიუხედავად დიდი სიმა ლისა, ჩანგტანს აქვს საშუალმთიანეთ სახე. ცალკეული მწვერვალები აღმართ ლია თოვლის მიჯნაზე მაღლა, სადაც გა ვითარებულია რელიეფის ალპური ფორ მები და მყინვარები. ტროგული ხეობებ მორენები და კარები 4500 *მ* სიმაღლემ ეშვება. ტ. მ-ის კიდეებზე პერიფერი ლი ქედების კალთები ციცაბოა და ხე ბებით არის დანაწევრებული.

ტ. მ. მოქცეულია ხმელთაშუა ზღვ გეოსინკლინურ სარტყელში. წარმოა გენს *შუალედი მასივის* იერის წარმ ნაქმნს. ტ. მ-ში გამოყოფენ სხვადასხვ გეოლოგიური განვითარების ისტორი მქონე რ-ნებს. ჩრდილო ტიბეტ უმთავრესად აგებულია ზედა პალეო ური კარბონატული და ცარცული წით ფერის ქანებით; ყარაყორუმ-ტ

ის რ-ნში გავრცელებულია პერ- და ტრიასული ასაკის ზღვიური ები; დიდი ტბების რ-ნში ი, სელონგი და სხვ.) ვრცელი ფარ- უკავია იურულ„ კონტინენტურსა და ლ ზღვიურ ნალექებს; განდის- ის რ-ნი (ტრანსპიმალაი) აგებუ- არბონული და პერმული ქვიშა-ფიქ- ის ქანებით, ცარცული ვულკ. ქანე- და გრანიტებით; ცანგპოსა ანდის ზემოთის რ-ნი აგე- ს ცარცულ-პალეოგენური ქვიშა-ფიქ- ფლიშით. კაინოზოური ერის შუა ე ტ. ზ.. უმთავრესად განიცდიდა ვას და ზმისი დიდი ნაწილი ზღვას აზევება ზმან გვთანდ. კაინოზოურ ერა- ნიცადა. ამჟამად ტ. ზ. ახალგაზრდა ანიზმის ა.რეა, ბევრია თერმული წყა- ხასიათებს დიდი სეისმურობა. ტ. ზ- ის ოქროს, კასიტერიტის, პოლიმეტა- მადნებისა და ქვანახშირის საბა- . გაუმდინარე ტბებში სოდისა და ის დიდი მარაგია.

ზ-ის პავა მკაცრია და მშრალი. ზა- ნგრძლივია და მცირეთოვლიანი, ს — 32°C-მდე აღწევს. ზაფხუ- რსია (10—15°C, იშვიათად 20°C- ეტი). ხშირია წაყინვები (ზოგჯერ ც). ტ. ზ-ის სამხრ. ნაწილში უფრო ი პავაა.. ტ. ზ-ის დიდ ნაწილზე 200 *მმ* ნალექი მოდის წელიწადში, ბზე — 5000 *მმ*, სამხრ-ში — 700— 00 *მმ*. ჩანგტანში თოვლის მიჯნა ე. 6000 *მ* სიმაღლეზე გადის (მსოფ- ში უმაღლესი თოვლის მიჯნა). გან- რებით ბევრი მყინვარია ტ. ზ-ის . ნაწილში.

. ზ. უმთავრესად დახშული აუზია. . და აღმ. კიდეზე სათავე აქვს მდ- ხუანხეს, იანძის, მეკონგს, სალუინს, ჰაპუტრას და სხვ. ტექტონ. ღრმუ- ს ძირზე ბევრია წყალმცირე მლაშე ნამცო, სელინგი და სხვ.), რ-თაც და- და დაშრაობებული ნაპირები აქვთ. ი ნოემბრიდან მაისამდე გაყინულია.

. ზ-ზე უმთავრესად განვითარებუ- ალმთიანეთის სტეპისა და უდაბ- ნიადაგები, კიდეებზე — მდელოსტე- და მთის მდელოს ნიადაგები. ჭარ- მაღალმთიანეთის ციცა უდაბნო და სარუდაბნო მეწყერი ბალახეულითა და ჩაეხებით, გეზდება მარცვლოვ- ჩანტანის ჩრდ. ნაწილში ხავსები ლერებია, ადგილ-ადგილ — მდელო- ტ. ზ-ის აღმ. და სამხრ. კიდეზე მთის ია, მდინარეთა ხეობების გასწვრივ — ბარი და ტუგაის ტყე.

ეველებიდან ტ. ზ-ის ჩრდ. ნაწილ- ბინადროებენ გარეული ჩლიქოსნები: ანტილოპები — ორონგო და ადა, ი, კუკუნიმანი,, არხარი; ბევრია კუ- ელი, მგლინავა,, მემინდვრია. მტაცებ- დან გვხვდება დათვი, მგელი, მელა, ა, ჯიქი); ფრინველებიდან — შურთ- საყვა, მთიულა,, ჰიმალაიური ორბი, ლკუდა ფსკოვი და სხვ. სამხრ. და აღმ. ზე მდელოსტეპის ცხოველებია — რგუ, მუშკი; ფრინველებიდან — ხო- , მტრედი, ძერა, შავარდენი და სხვ. ზ. ზ-ის სამეურნეო გამოყენების შესა- იხ. *ტიბეტის ავტონომიური რაიონი*.

ეტური ენა, განეკუთვნება ჩინურ- ტური ენების ტიბეტურ-ბირმულ შტოს. თადად გავრცელებულია ტიბეტსა და სხვა რ--ნებში, აგრეთვე ინდოეთში, ლსა და ბპუტანში. ლაპარაკობს 5 -მდე კაცი. არსებობს ტ. ე-ის 2 დია- ტი — აღმოსავლური და დასავლური. წერლობის პირველი ძეგლები განე- ვნება VIII—X სს. ანბანი შეიქმნა ინ- ი დამწეერლობის — დევანაგარის სა- ველზე.

ლიტ.: Рерих Ю. Н., Тибетский , М., 1965. *ვ. ალექსიძე.*

ო, თიბო (Thibaud) ჟაკ (27. IX.), ბორდო, — I. IX. 1953, მონ-სემე, ბარ- სელონეტი), ფრანგი მევიოლინე. 1896 დაამთავრა პარიზის კონსერვატორია (ჯ. მარსიკის კლასი). 1898-იდან ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას (რუსეთში — — 1901, სსრკ-ში — 1936). ფრანგ. სავიოლინო სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელია. მისი შესრულება გამოირჩეოდა მღერადი ტონით, სინატიფით, ვირტუოზული ბრწყინვალებით. უკრავდა ტრიოში პიანისტ ა. კორტოსა და ვიოლონჩელისტ პ. კასალსთან ერთად. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას მუს. სკოლაში. 1943 პიანისტ მ. ლონგთან ერთად პარიზში დაარსა პიანისტთა და მევიოლინეთა კონკურსი (1946-იდან საერთაშორისო, მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახელობისა). დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს საფრ. ალპებში.

ტიბრი (Tevere), მდინარე იტალიაში, უდიდესია აპენინის ნ.-კ-ზე. სიგრძე 405 *კმ*, აუზის ფართ. დაახლ. 16,5 ათ. *კმ*². სათავე აქვს ტოსკანა-ემილიის აპენინების სამხრ. ნაწილში. ქვემოთში მიედინება მარემის ვაკეზე, ერთვის ტირენის ზღვას და აჩენს დელტას (ფართ. 250 *კმ*²). უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წყალმოვარდნები იცის ნოემბრიდან აპრმდე. წყლის საშ. ხარჯი 260 *მ*³/*წმ*. ტ-ზე არის ჰესები. იყენებენ სარწყავად. სანაოსნოა პატარა გემებისათვის ქ. რომის ქვევით. ტ-ის ნაპირზეა ქ. რომი.

ტიბუა შოთა პლატონის ძე (1918, სოფ. ჭაქვინჯი, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, — 8.II. 1945), გვარდიის სერჟანტი. საბჭ. კავშირის გმირი (24. III. 1945, სიკვდილის შემდეგ). სკკპ წევრი 1944-იდან. 1938 დაამთავრა ნარაზენის ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ტექნიკუმი. 1939-იდან გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) იბრძოდა სამხრ.-დას., სტალინგრადის, უკრ. III და ბელორ. I ფრონტებზე. მდ. ვისლის მარცხ. ნაპირზე პლაცდარმისათვის ბრძოლაში გმირობისა და მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ტიბულუსი ალბიუს (Albius Tibullus) (დაახლ. ძვ. წ. 50 — 19/17), რომაელი პოეტი, ელეგიკოსი. ტ-ის სახელით ჩვენამდე მოღწეული 3 (ზოგი გამოცემით — 4) წიგნის შემცველი კრებულიდან მას მიაკუთვნებენ I და II წიგნებს (16 ლექსი), დანარჩენს მიაწერენ ვინმე ლიგდამუსს და პოეტ ქალს სულპიციას; ერთი თხზ. „მესალას პანეგირიკი“ ანონიმურია. I წიგნის ელეგიებს ავტორი უძღვნის თავის სატრფოს დელიას, II წიგნის ლექსებს — ნემესიდას. ტ. გმობს ომს და განადიდებს მშვიდობას. მისი ენა გამოირჩევა სისადავითა და დახვეწილობით.

ლიტ.: История римской литературы, т. 1, М., 1959.

ტიგელებში დნობა ლითონებისა, ლითონებისა და მათი შენადნობების თხევად მდგომარეობაში მიღება *ტიგელებში*. ტ. დ. ლითონების (სპილენძი, ბრინჯაო) დნობის უძველესი პროცესია. ტ. დ-ის შესახებ წერდა არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.). ამ ხერხით მიღებულ ფოლადს იყენებდნენ ცივი იარაღის დასამზადებლად. შემდგომში ტ. დ-ის რეცეპტი დაიკარგა. ლითონთა დნობის ეს ხერხი ევროპაში XVIII ს-ში აღადგინა ბ. ჰანტსმენმა (ინგლისი, 1740). მისი ხერხით შველურ დაცემენტებულ ფოლადს გადაადნობდნენ ტიგელებში მწვანე მინის ფლუსის ფენის ქვეშ, რის შედეგად ღებულობდნენ წმინდა და ერთგვაროვან შედგენილობის ფოლადს, რ-ისგანაც ამზადებდნენ დანებს, საათის ზამბარებს და სხვ. ინგლ. დ. მიუშეტმა დაიწყო ტიგელის კაზმში მანგანუმის ჟანგეულების დამატება — შემოიღო ფოლადის განჟანგვის პროცესი (1801).

ს. ბადაევმა შექმნა ღუმელი, რ-იც აერთიანებდა საცემენტაციო და ტიგელის განყ- ბებს, რ-ებსაც რიგრიგობით ამუშავებდნენ. 1808 პ. *ანოსოვმა* ბულატის ფოლადზე მუშაობის დროს აღმოაჩინა ტ. დ-ისას რკინის აირული დაცემენტების პროცესი (1837), რის შედეგად ტ. დ-ის პროცესი რამდენიმე დღის ნაცვლად 9—10 *სთ*-ს მიმდინარეობდა. ცნობილი იყო აგრეთვე პ. ობუხოვის ხერხი (1857), რ-ის მიხედვით, ტ. დ-ისას იყენებდნენ რკინის მადანს. ზლატოუსტში (1860), პერმსა (1863) და პეტერბურგში (1865) ააგეს ფოლადსასმელი ქ-ნები, რ-თა მუშაობის პრინციპი ემყარებოდა პ. ობუხოვის ხერხს. მიუხედავად იმისა, რომ ტ. დ-ით მიღებული ფოლადი ძვირი იყო და პროცესი მცირედმწარმოებლური, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ მისგან ამზადებდნენ საპასუხისმგებლო ხელსაწყოებისა და მექანიზმების დეტალებს. XX ს. შუა წლებში ტ. დ-ის ხერხი მხოლოდ შენიშნეა იყო შემორჩენილი. ტ. დ-ს იყენებენ აგრეთვე ფერადი ლითონების შენადნობთა მისაღებად ან ლითონთა სადნობად სამსხმელო ყალიბებში ჩასხმის წინ.



ზ. ტიბუა.

ტიგელი (გერმ. Tiegel), ჭურჭელი, რ-შიც ადნობენ, ხარშავენ ან ახურებენ სხვადასხვა მასალას. ტ-ს იყენებენ ლითონებისა და შენადნობების გასადნობად, ლითონის ნაკეთობათა თერმული დამუშავებისათვის კონტროლირებად ატმოსფეროში ან თხევად გარემოში, მინის სახარშად და სხვ. დამუშავების ტემპ-რისა და დასამუშ. მასალის ქიმ. შედგენილობის მიხედვით ტ-ს ამზადებენ ლითონებისაგან (თუჯი, მხურვალგამძლე ფოლადები და შენადნობები, პლატინა და სხვ.), გრაფიტისა და ფაიფურისაგან ან ცეცხლგამძლე მასალისაგან. ტ. განივკვეთში მრგვალი ფორმისაა და ქვევით ვიწროვდება. იხ. აგრეთვე *ტიგელებში დნობა*.

ტიგელიანი საბეჭდი მანქანა, *საბეჭდი მანქანა*, რ-შიც საბეჭდ აპარატს ქმნის 2 ფილა. ერთ ფილაზე (ტალერზე) ამაგრებენ ფორმას (ანაწყობს), მეორე ფილა კი (ტიგელი) საჭიროა ქაღალდის ფურცლის ფორმაზე მისაჭერად. ტ. ს. ზ-ები წარმოადგენს მაღალი ბეჭდვის მცირეფორმატიანი ერთსაღებავიანი საფურცლე მანქანების შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს; იყენებენ მცირეტირაჟიანი პროდუქციის გამოსაშვებად.

ტიგლათფილესერი (ასურ. თუქულთი აფალეშარი), ასურეთის რამდენიმე მეფის სახელი. **ტ. I** (მეფობდა ძვ. წ. 1114—1076). მის დროს საკმაოდ გაძლიერდა ასურეთი. მეფობის დასაწყისში ტ-ს ბრძოლა მოუხდა მცირე აზიის აღმ. ოლქებში მცხოვრებ *მუშქების* ძლიერ ტომებთან. მეფე სიამაყით მოგვითხრობს მათი დამარცხების შესახებ. ილაშქრა ასურეთის ჩრდ-ით მდებარე ნაირის მხარეში, მიაღწია „ზემო ზღვას“ (შავი ზღვა). წარმატებით დალაშქრა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები, ებრძოდა ბაბილონს. მისი მეფობის ბოლო წლებში ასურეთში შემოსევა დაიწყეს ამორეველთა ტომებმა, რ-ებთან ბრძოლაშიც ქვეყანა თანდათან დასუსტდა. **ტ. III** (მეფობდა ძვ. წ. 745—727). გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები: გააუქმა სამეფისნაცვლოები და შექმნა უფრო მცირე ადმ. ერთეულები, რ-თაც სათავეში ჩაუყენა ოლქის უფროსები. შექმნა აგრეთვე მუდმივი არმია, რ-იც ივსებოდა რეკრუტირებული მოსახლეობისაგან. არმიას მთლიანად სახელმწიფო ინახავდა, რის გამოც ღარიბებსაც შეეძლოთ ემსახურათ ჯარში. რეფორმებმა განამტკიცეს ცენტრ. ხელისუფლება და ქვეყნის სამხ. ბლიერება. ძვ. წ. 740 დაიპყრო ტიგროსის ზემო დინების აუზში მდებარე ურარტუს ტერიტ. ნაწილი, აგრეთვე ჩრდ. სირიის მნიშვნელოვანი რ-ნი, ძვ. წ. 735 შეიჭრა ურარტუს ტერიტორიაზე და მიადგა მის დედაქალაქს ტუშფას, მაგრამ მისი აღე-

ბა ვერ შეძლო. დაიმორჩილა ფინიკია და სირიის ნაწილი, ძვ. წ. 739 აიღო ქ. დამასკიც. ბაბილონში მეფედ აირჩიეს ფულუს სახელით. ბაბილონს შეუნარჩუნა საკუთარი მმართველობა და მხოლოდ მოკავშირის უფლებებით გააერთიანა ასურეთთან. მის დროს გრძელდებოდა დაპყრობილი ტერიტორიებიდან მოსახლ. ასურეთში გადმოსახლების პოლიტიკა. *ჯ. შარაშენიძე.*



ჯ. ბ. ტიეპოლო.

ტიგრაი, ხალხი ჩრდ. ეთიოპიაში. დიდი ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს ტიგრეს პროვინციასა და ერიტრეაში, რაოდ. დაახლ. 2,5 მლნ. კაცი (1978, შეფასება). ენა—ტიგრაი, განეკუთვნება სემიტური ენების სამხრ.-პერიფერიულ ჯგუფს. რელიგია — ქრისტიანობა (მონოფიზიტობა). განსახლების ძირითადი რ-ნია ძვ. ეთიოპიის *აქსუმის სახელმწიფოს* ტერიტორია. მისდევენ ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, აგრეთვე ხელოსნობასა და ვაჭრობას.

ტიგრან II დიდი, სომხეთის მეფე ძვ. წ. 95—56. მის დროს ძვ. სომხეთის სამეფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რის გამოც მეფეს „დიდი" უწოდეს. ძვ. წ. 94 ტ. II-მ სამხ.-პოლიტ. კავშირი შეკრა ერთ-ერთ უძლიერეს მეზობელთან — პონტოს სახელმწიფოსთან, რაც განამტკიცა ამ ქვეყნის მეფესთან — მითრიდატე VI ევპატორთან დამოყვრებით (ცოლად შეირთო მითრიდატეს ქალიშვილი). ეს კავშირი ფაქტობრივად რომის იმპერიისა და არშაკიდთა პართიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მოკავშირეებმა წინასწარ გაინაწილეს დასაპყრობი ტერიტორიები, რის შემდეგაც მითრიდატემ ომი წამოიწყო რომის, ხოლო ტ.-მა პართიის წინააღმდეგ. მოკლე დროში ტ. II-მ მთელი სომხეთი გააერთიანა. მის სამფლობელოში მოექცა სოფენე, ატროპატენე, დას. მიდია, ფინიკია, კილიკიის ნაწილი, ანტიოქია და სხვ. ტ.II-ის წინსვლა რომმა შეაჩერა. რომაელებთან ბრძოლაში სომხებს ქართველებიც ეხმარებოდნენ, რადგანაც რომის აგრესია ამიერკავკ. ხალხებს ერთნაირ საფრთხეს უქმნიდა. პლუტარქეს ცნობით, უცხოელი მეომრებიდან ტ.II ყველაზე მეტად მშვილდოსან მარდებსა და შუბოსან იბერებს ენდობოდა.

ძვ. წ. 66 პომპეუსმა საბოლოოდ დაამარცხა ტ. II და იგი რომის ვასალად აქცია.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979; История армянского народа, ч. 1, Ер., 1951; Манандян Я. А., Тигран II и Рим, Ер., 1943. *გ. მაისურაძე.*

ტიგრანაკერტი, ძვ. სომხეთის ქალაქი. ტიგრან *II*-ის სახელმწიფოს ერთ-ერთი დედაქალაქი. დაარსდა ძვ. წ. 77 ვანის ტბის სამხრ.-დას.-ით, ახლანდ. სოფ. ფარქინის (თურქეთი) ადგილზე. ძვ. წ. 69 რომაელებმა დაანგრიეს.

ტიგრანიანი არმენ ტიგრანის ძე [14(26). XII. 1879, ალექსანდროპოლი, ახლანდ. ლენინაკანი, — 10. II. 1950, თბილისი], საბჭ. კომპოზიტორი, საგუნდო დირიჟორი, პედაგოგი. სომხ. სსრ (1935) და საქ. სსრ (1936) ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1902 დაამთავრა თბილ. მუს. სასწავლებელი. (ფლეიტის კლასი), კომპოზიციაში მეცადინეობდა მ. ეკმალიანთან, შემდეგ მოღვაწეობდა ალექსანდროპოლში. 1913-იდან ცხოვრობდა თბილისში. იყო „სომხური მუსიკალური საზოგადოების" წევრი (1912—21, შემდეგში „სომხეთის ხელოვნების სახლი"). სომხ. კლასიკური ოპერის „ანუშის" ავტორი (1908—12; III რედ. 1939). დაწერა აგრეთვე სასიმღერო დრამა „ლეილი და მაჯნუნი" (1917), ისტ.-პატრ. ოპერა „დავით-ბეგი" (1950) და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ტიგრე, ხალხი ჩრდ. ეთიოპიაში, აგრეთვე სუდანის რესპუბლიკაში. რაოდ. 570 ათ. კაცზე მეტი (1978, შეფასება) ენა —ტიგრე, განეკუთვნება სემიტური ენების სამხრ. პერიფერიულ ჯგუფს. უმრავლესობა მუსლიმანია, ნაწილი — ქრისტიანი (მონოფიზიტი). ძირითადი საქმიანობა — მესაქონლეობა, მიწათმოქმედება. ზღვისპირა რ-ნებში მისდევენ თევზჭერას, სადაფისა და მარგალიტის მოპოვებას.

ტიგრი, მდინარე თურქეთსა და ერაყში (ნაწილობრივ მიედინება ამ ქვეყნებისა და სირ. საზღვარზე). სიგრძე დაახლ. 1900 *კმ*, აუზის ფართ. 375 ათ. *კმ*². სათავე აქვს აღმ. ტავრში. კვეთს ჯეზირეს პლატოსა და მესოპოტამიის დაბლობების დიდ ნაწილს. დაახლ. ქ. ელ-კურნასთან (ერაყი) უერთდება მდ. ევფრატს და მდ. შატელ-არაბის სახელწოდებით ერთვის სპარსეთის ყურეს. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. ტ.-ისა და მისი შენაკადების კატასტროფული წყალდიდობისაგან დასაცავად მდინარის ნაპირები შემოზვინულია. წყალდიდობის დროს ტ.-იდან წყლის ნაწილი არხის საშუალებით გადის სარსარის ტბის ქვაბულში, საიდანაც გაყვანილია (სსრკ-ის სპეციალისტების დახმარებით) 37 *კმ* სიგრძის არხი სარსარ—ევფრატი. წყლის საშ. ხარჯი ქ. ბაღდადთან 1240 $მ^3/წმ$, მაქს.~დაახლ. 13 ათ. $მ^3/წმ$. ქვემოთში იყენებენ სარწყავად. ჭდინარის გასწვრივ არის ოაზისები. ტ-ზე აგებულია ბევრი კაშხალი. სანაოსნოა ბაღდადამდე, წყალდიდობის დროს — ქ. მოსულამდე. ტ-ის ნაპირზეა ქ-ები: დიარბაქირი (თურქეთი), მოსული, ბაღდადი, ელ-კუთი, ამარა (ერაყი).

ტიეპოლო (Tiepolo) ჯოვანი ბატისტა (5.III. 1696, ვენეცია, — 27. III. 1770, მადრიდი), იტალიელი ფერმწერი, გრაფიკოსი, გრავიორი. XVIII ს. *ვენეციის სკოლის* უდიდესი წარმომადგენელი. სწავლობდა ვენეციაში გ. ლაბარინისთან, განიცადა პ. *ვერონეზის* და ჯ. ბ. პიაცეტას გავლენა. უმთავრესად მუშაობდა ვენეციაში, აგრეთვე მილანში (1731—32, 1737, 1740), ვიურცბურგში (1750—53), მადრიდში (1762—70). ტ-ს ადრინდ. ნამუშევრებისათვის (1716—34) დამახასიათებელია მუქი კოლორიტი, შუქ-ჩრდილის კონტრასტულობა, მდიდარი ფანტაზია (ვენეციაში დოლფინოს სასახლისათვის შესრულებული სურათების ციკლი, 1725 შემდეგ. ამჟამად ერმიტაჟი, ლენინგრადი და სხვ. კოლექციები). მომდევნო პერიოდში (1735—50) ტ-ს მანერა თავისუფალი და ექსპრესიული გახდა, კოლორიტი განათდა და გამდიდრდა ფაქიზი ნიუანსებით (ვენეციის ჯეზუატის, 1737—39, და სკალცის, 1743—44, ეკლესიების პლაფონები). 1750—60-იან წლებში ტ. უკვე სახელგანთქმული მხატვარი იყო, იტალიას გარდა მუშაობდა ევრ. მრავალ სახელმწიფოში, არჩეული იყო ვენეციის საპატიპოპოსო რეზიდენცია, 1750—53; პალაცო ლაბია ვენეციაში, დაახლ. 1750; ვილა ვალმარანა ვიჩენცის მახლობლად, 1757, პალაცო რეზონიკო ვენეციაში, 1758). აღნიშნული ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ელეგარე და მდიდრული კოლორიტი, რ-იც შექმნილია ნაზი ვერცხლისფერი, მოწითალო, ოქროსფერ-ყვითელი, ყავისფერი და ლურჯი ტონების ნაირფერი გრადაციებით. აღსანიშნავია ტ-ს დაზგური სურათები, რ-ებიც გამოირჩევა სახეთა ემოციურობით, ვირტუოზული ტექნიკით („ამფიტრიტეს ტრიუმფი", დაახლ. 1740, სურათების გალერეა, დრეზდენი; „მოგვთა თაყვანისცემა", 1753, ძვ. პინაკოთეკა, მიუნხენი). 1762—66 წლებში ტ-მ მოხატა მადრიდის სამეფო სასახლის პლაფონები. ტ-ს ფრესკები და სურათები ვეებერთელა სივრცით, დაუოკებელი დინამიკით, ფერწერული თავისუფლებით, მოულოდნელი რაკურსებით, ფერთა გამჭვირვალე გრადაციებით მონუმ.-დეკორ. ხელოვნ. მწვერვალს განეკუთვნებიან ცნობილი იყო როგორც პორტრეტის გრაფიკოსი, ოფორტისტი.

ლიტ.: Ольшанская Н. И., поэт, М., 1957.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი. გვ. 49

ტიერი, თიერი (Thiers) ადო (14. IV. 1797, მარსელი, — 3. IX. 1 სენ-ჟერმენ-ან-ლე), საფრანგეთის სახ მწიფო მოღვაწე. ისტორიკოსი, საფრ. ა წევრი (1833). ხელი შეუწყო *ლუი-ფი ორლეანელის* გამეფებას. შინაგან საქ მინისტრად (1832—1836) ყოფნისას ტიკად ჩაახშო. რესპ. აჯანყება ლი (1834), პარიზსა და სხვ. ქ-ებში. 183 1840 მთავრობის მეთაური იყო. 1848 აჯანყების დღეებში გენ. ლ. კავენი დიქტატურის მომხრედ გამოდიოდა. თებ. გახდა საფრ. რესპ. აღმასრ. ხე სუფლების მეთაური, ხელი მოაწერა რანგეთისათვის დამამცირებელ პრ მინარულ ზავს პრუსიასთან (1871 თე უდიდესი სისასტიკით ჩაახშო პარი კომუნა. 1871 აგვ.-ში ეროვნ. კრებამ რ პრეზიდენტად აირჩია. ეროვნ. კრ მონარქისტულ ოპოზიციასთან კონფლ ტის გამო 1873 მაისში გადადგა. ტ. ე ერთი ფუძემდებელი იყო ისტორიოგ ფიაში ახ. მიმართულებისა, რ-იც კ სობრივ ბრძოლას აღიარებდა.

რ. სიკონჭალაშვი

„ტიესა" („Tiesa" — „სიმართლე"), რ პუბლიკური გაზეთი, ლიტვ. კპ ცკ ლიტვ. სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმ ლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანო; მოდის ვილნიუსში, ლიტვ. ენაზე, კვი ში 6-ჯერ. 1917 გამოვიდ. პეტროგრად როგორც ლიტვ. ბოლშევიკური პარტ ორგანო. დამაარსებელი და ორგანიზა რი — ვ. მიცკიავიჩიუს-კაღსუკასი. გამოდიოდა მოსკოვში როგორც რკპ ლიტვ. სექციის ცენტრ. ორგანო. 19 იდან, ლიტვაში საბჭ. ხელისუფლების მარჯვების შემდეგ — ვილნიუსში. ბუ დიქტატურის პერიოდში გამოდიოდა ა ლეგალურად. 1944 აგვ-დან გამო ვილნიუსში. ტირაჟი 125 ათ. (1984). ჯილდოებულია შრომის წითელი დრ შის ორდენით (1967).

ტივერები, აღმოსავლეთსლავურ ტომ გაერთიანება. სახლობდნენ მდ. დნესტრ გაყოლებაზე შავ ზღვამდე და მდ. დუნ შესართავთან. ტ. მონაწილეობდნენ ც გრადზე ოლეგისა (907) და იგორის (94 ლაშქრობაში. X ს. შუა წლებში ტ. ვიდნენ *კიევის რუსეთის* შემადგენლო ში. XII ს-ში პაჭანიკებისა და ყივჩაყე შემოსევის გამო ტ-მა ჩრდ.-ით გადაინა ლეს და თანდათან შეერიენ მეზობ სლავ ტომებს.

ტივი, 1. ერთიმეორეზე მაწყობით შ რული დიდი ძელები მდინარეზე და ცურებლად. ტ-ს მეტიველები („წყლის ცები") მიაცურებდნენ. იმაოთებოდა ტ-ზე საგანგებოდ მოწყობილ ჭოლოკ ზე ჩამოცმული ორთაყვირთ.

მტკვარსა და ლიახვზე მრავალ სოფე თან (დვირი, ჭობისხევი, ყვიბისი, უფლ ციხე) იყო გამართული სატივე. მეტიველ განსაკუთრებით იყო გავრცელებული ტყ მდიდარ მტკვრის, რიონის, ლიახვისა ენგურის ხეობებში. ტ. სატყეოსნა. საშ ლებადაც გამოიყენებოდა.

2. დინების მიმართულებით მცურა პლატფორმა, რ-იც ერთმანეთზე მიმა რებული ტივტივებისაგან იკვეთება. იმართ ბა ჭოკებისა და ნიჩბების საშუალებით. მ ძრაობაში შეიძლება აფრაც ჯმარებოდე

3. ფენილიანი ტივტივებისაგან აგე ული მაშენი მოწყობილობა რ-იც წყა შეულწევი ქსოვილისაგან არის დამზად ბული. აქვს საკვებისა და წყლის მარაგ წყალში ჩაგდებისას ავტომატურად იხ რება.

ლიტ.: გასიტაშვილი გ., ხის დ მუშაობის ხალხური წესები, თბ., 1962.

გ. გასიტაშვილ

ტივა (Phalarcopus), ფრინველთა ი მეჭვავიასნაირთა რიგისა. გაერთიანულია ცირკუმპოლარულად გავრცებული 3 სახეობა: მ რ გ ვ ა ლ ნ ი ს ტ ა ტ. (P. lobbatus), ბ რ ტ ყ ე ლ კ ა რ ტ ა ტ. (P. fulicarius) და ტ რ ი ფ ე რ ი ტ. (P. tricolor). მათგან პირველ 2 ცხოვრობს სსრკ ტუნდრასა და ტყე-ტუნდრაში, მესამე კი—ჩრდ. ამერ. პრერიებში. მრგვალნისკარტა ტ. საქართველოში იშვიათად გვხვდება მიმოფრენისას. მათი სხეულის სიგრძეა 16—20 სმ. ხასიათებელია მკვრივი და ხშირი ბმლება, სეზონური და ასაკობრივი ერიზმი (დედალი უფრო ღია ფერისა და ტანად დიდია). ბუდობენ მიწაზე, ი 3—4 კვერცხს, კრუხობს დედალი ძირ-ღ.). იკვებებიან პლანქტონური ანიზმებით. რ. ჟორდანია.

ტივა ტ ე ქ ნ ი კ ა ში, მოწყობა, რ-საც ჩააყურსულ მდგომარეობას ახასიათებს ტივტივადობა და ამწეჭალა. ტ-ის საახეობებია საჭიდენები (როთვითმფრინავაების, პონტონის ხიდ, სადგმელი ბადეებისა და სხვ.), ომეტრიული ტ-ები (დინების სიჩქარ ან დონის ცვალებადობის საზომები, მარეოგრაფი), ჩამკეტი სარქველები და სხვა მოწყობილობების ასამოქმედელი ტ-ები (კასრბიურატორის ტივტივ კამერაში, წყაალსადენის ქსელში და).

ტივადოვა გ ე მ ი ს ა, ც უ რ ე ო ბ ა, ტეორითიანი გემის უნარი ეს წყლის ზედაპირის მიმართ მოცე მდგომარეობაში; გ ე მ ი ს ერთი ძირითადი *ზღვაოსნური თვისება*. კის უსაფრთხოებისათვის ყოველ გემს ჰქონდეს ტ-ის მარაგი, რ-იც გემის ტრუქციის, ცურვის რ-ნისა და სეზომიხედვით განისაზღვრება მისი წყალ ბორტის სიმაღლით. იხ. აგრეთვე *ირთო მარკა*.

ალი (Tikal), *მაიას* ტომის (გვატეის ტერიტ.) ერთ-ერთი ქალაქ-სახელის პირობითი სახელი. არსებობდა ჩ. VI ს.— ახ.. წწ. IX ს-ში. XX ს. დისიდან არქეოლ. გათხრებს ატარებენ ისა და გვატემალის მეცნიერები. ტ-ის ლას აღმოჩენილია ასობით ტაძარი ავარი ტაძრის (სიმაღლე 71 *მ*), წარბულთა სასახლეები (ერთი მათგანი რთულიანია) და სხვა არქიტ. ძეგლი რელიეფებიანი და წარწერებიანი სტე, საკურთხეველები, ტაძრის ხის მორთმებული წირითხლები, გამოყენი ხელოვნ. ნიმუშები. განსაკუთრემნიშვნელოვანი ძეგლები რესტაურიულია.

ამაცუ მონაძაეემონ (ნამდვ. სახელი ჯ ი მ ო რ ი ნოიბუმორი) (1653—22. 1724), იაპონელი დრამატურგი. წერძიორურის შარიორიტების თეატრისა და დრამებს *კაბუკისათვის*. მისი („ძლევამოსილი კაგეკიო", 1686; ქსინგის ბრძოლეები", 1715 და სხვ.) და ითი („მიჯნურთა თვითმკვლელობა რ ბადეთა კუნძულზე", 1703, ქართ. გმ. 1976, დ.აიდგა კ. მარჯანიშვილის თეატრში 19811, რეჟ. მ. კუჭუხიძე). ზების მამოძრავებელი ძალაა მოვაის გრძნობა და ბედისწერა. იაპოი პირველმა შექმნა ფსიქოლ. დრამა. ლექსართულიი პიესები დღესაც წარებით იდგმება იაპონიაში.

ი (Tieck) ლ უ დ ვ ი გ იოჰან (31. V. , ბერლინი, — 28. IV. 1853, იქვე), ანელი მწერალი; გერმ. რომანტიზიების სკოლისს ცნობილი წარმომადელი. ტ. წარსულის იდეალიზაციის ით იყენებდა შ ჰუა საუკ. „ხალხური წიგ", მისტერიებსა და ლეგენდებს, ცხოს უპირისპირებდა რომანტ. იდეალს, და ხელოვნ. და რელიგ. ერთიანობის ჯიპს (რომანი „ვილიამ ლოველი", —96; დრამა „„კარლ ფონ ბერნეკი", 1797; რომანი „ფრანც შტერნბალდის ხეტიალი", 1798; კომედია „იმპერატორი ოქტავიანე", 1804 და სხვ.). ივი ზღაპრულ-პაროდიული ფორმის ოსტატია („ჩექმებიანი კატა", „ლურჯწვერა", ორივე 1797, და სხვ.). წერდა ისტ. მოთხრობებსაც. ბოლო წლებში რამდენადმე ჩამოსცილდა რომანტიზმს. შეისწავლა გერმ. ლიტ-რის ისტორია, შექსპირი და თეატრი. თარგმნა შექსპირის პიესები, სერვანტესის „დონ კიხოტი" და სხვ.

ტიკი (ფრანგ. tic — კრუნჩხვითი ტოკვა) მ ე დ ი ც ი ნ ა ში, კუნთების სწრაფი და უნებლიე შეკუმშვა, რ-იც სტერეოტიპულად მეორდება; *ჰიპერკინეზის* სახე. ტ. დაკავშირებულია ტვინის ცალკეული უბნების დაზიანებასთან, (ვითარდება ენცეფალიტის გადატანის შემდეგ) ან თანდაყოლილ პათოლოგიასთან, რაც ხშირად პიროვნების ნევროპათიული განვითარებით ვლინდება, აგრეთვე სამწერა ნერვის *ნევრალგიის* შეტევებთან ან სახის ნერვის *ნევრიტთან*. განარჩევენ ტ-ის გენერალიზებულ (მონაწილეობს ყველა კუნთი) და ადგილ. ფორმას, რ-იც უფრო ხშირად გვხვდება. ჩვეულებრივ ზიანდება სახისა და კისრის კუნთები. ტ. ჰგავს ნებსით მოძრაობებს, თვალის თამაშს, წარბების შეჭმუხვნას და ა. შ. როგორც წესი, ტ-ის ყველა გამოვლინება ძილში ქრება, ემოციური დაძაბვისას კი ძლიერდება. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: სედატიური, სპაზმოლიზური საშუალებები, ტრანკვილიზატორები და სხვ.

ტიკი, ტ ი კ ჭ ო რ ა, გ უ დ ა-თ ხ ი ე რ ი, თხის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებული სითხის ჩასასხმელი ჭურჭელი. დაკლულ თხას ან ხბოს ოთხში ამოილებდნენ, ნედლ ტყავს თრიმლში გამოიყვანდნენ, ბეწვიან მხარეს შიგნით მოუქცევდნენ, წინა მარჯვ. ფეხის დაბოლოებაზე ხის მასრას გამოაბამდნენ, ჭიპისა და კუდის ადგილას ხის სარქველებს ანუ პოჭოჭიკებს გაუკეთებდნენ, დანარჩენი სამი ფეხის დაბოლოებას შიგნიდან მაგრად გაკვანძავდნენ, შემდეგ ყელიდან თბილ კუპრს ჩაასხამდნენ და მოთელავდნენ. მოკუპრულ ტ-ს გაბერავდნენ, რამდენიმე ხანს მზეზე გაკიდებდნენ და შემდეგ უკვე შეიძლებოდა მისი ხმარება.

ტ. შუა საუკ. საქართველოში ღვინის გამოსაღებ ერთეულადაც მოიხსენიება. ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში ტ-ს მდ-ებზე გადასასვლელადაც იყენებდნენ. ხმაობდნენ აგრეთვე სამხ. საქმეში. საქართველოში რამდენიმე ტ-ზე დაბმული ფიცრებით ნავტიკებს ამზადებდნენ და სათევზაოდ და მდინარეზე გადასასვლელად იყენებდნენ.

ლიტ.: ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973. გ. ჯალაბაძე.


ტიკოცკი ევგენი კარლის ძე [14(26). XII. 1893, პეტერბურგი, — 23. XI. 1970, მინსკი], საბჭ. კომპოზიტორი. სსრკ სახ. არტისტი (1955). სკკპ წევრი 1948-იდან. სწავლობდა პეტროგრ. უნ-ტში (1914—15). 1920-იდან ცხოვრობდა ბელორუსიაში. იყო ბელორ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1950—63). ტ. ერთ-ერთი პირველი ბელორუსი პროფესიონალი კომპოზიტორია. ნაწარმოებები: ოპერები — „მიხას პოდგორნი" (1939; II რედ. 1957), „ალესია" (1944; ახ. რედ. „პოლესიელი ქალიშვილი", 1953: საბოლოო რედ. 1967; სსრკ სახელმწ. პრემია, 1968), „ანა გრომოვა" (1970), ჰეროიკული პოემა „სიმღერა ქარიშხალაზე" (1944), 6 სიმფონია (1927—63) და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტილპანი ბალგანგადჰარ (23. VII. 1856, რატნაგირი, მაჰარაშტრა, — 1. VIII. 1920, ბომბეი), ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, მეცნიერი; მარათი. განათლებით იურისტი იყო. საზ.-პოლიტ. მოღვაწეობა 70-იან წლებში დაიწყო. 1881-იდან გამოსცემდა გაზ. „მაჰრატას" (ინგლ. ენაზე) და „კესარის" (მარათულ ენაზე). მკაცრად აკრიტიკებდა ინგლ. იმპერიალიზმის კოლონ. პოლიტიკას ინდოეთში, მხარს უჭერდა მის დამოუკიდებელ ეკონ. განვითარებას, აქტიურად მონაწილეობდა *სვადეშის მოძრაობაში*. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ლიდერთა შორის მან ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა მოსახლ. ფართო ფენების ჩაბმა ამ მოძრაობაში. ამავე დროს ეროვნ. მოძრაობის მონაწილეთა გასაერთიანებლად იგი იყენებდა რელიგ. დოგმებს. XIX ს. 90-იან წწ. და XX ს. დასაწყისში ტ. აქტიურად მონაწილეობდა *ინდოეთის ეროვნული კონგრესის* (იქა) მუშაობაში, 1905—08 იყო რევოლუციონერ-დემოკრატების („ექსტრემისტების") საერთო ეროვნ. ლიდერი. ტ. მხარს უჭერდა რუს., ირლანდ. და სხვა ქვეყნების რევ. ბრძოლის გამოცდილების გამოყენებას; ანტიიმპერიალ. მოღვაწეობისათვის მრავალჯერ (1882, 1897, 1908) დააპატიმრეს. ოქტ. რევ. გავლენით პროპაგანდას უწევდა პოლიტ. ხელისუფლებისათვის ინდ. პროლეტარიატის ბრძოლას. ეკუთვნის რამდენიმე სამეცნ. ნაშრომი

ტილბურგი (Tilburg). ქალაქი და ნავსადგური ნიდერლანდში, ვილჰელმინას არხის ნაპირზე, ჩრდ. ბრაბანტის პროვინციაში. 151 ათ. მცხ. (1980). საფეიქრო (უმთავრესად შალეულის) მრეწვ. ცენტრი. მანქანათსაშ., ქიმ., კვების მრეწველობა.

ტილდენი (Tilden) უილიამ ოგასტეს (15. VIII. 1842, ლონდონი, — 11. XII. 1926, იქვე), ინგლისელი ქიმიკოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი (1880), ბირმინგემის კოლეჯისა (1880) და ლონდონის სამეფო კოლეჯის (1894—1909) პროფესორი. იკვლევდა ტერპენულ ნაზშირწყალბადებს. ტ-მა სკიპიდრის თერმული დაშლით მიიღო *იზოპრენი* (1884) და დაადგინა მისი ფორმულა. გამოთქვა მოსაზრება, რომ იზოპრენის პოლიმერიზაციით შესაძლებელია ხელოვნური კაუჩუკის მიღება.

ტილები (Anoplura ანუ Siphunculata), სისხლისმწოვი მწერების რიგი. ადამიანისა და ძუძუმწოვრების პარაზიტებია. აქვთ უფრთო, გაბრტყელებული, ოვალური სხეული, რ-ის სიგრძე 1—5 *მმ* აღწევს, პატარა თავი და მკერდი, მოკლე ულვაშები, შედარებით დიდი მუცელი. ფეხები ბრჭყალებით (სუბსტრატზე მისამაგრებლად) მთავრდება. პირის ორგანოები მხჩვლეტ-საწუწნია. ჩხვლეტის დროს ნერწყვი ჩადის ჭრილობაში და იწვევს მსხვერპლის კანის გაღიზიანებას. დედალი ტ. გამოყოფენ მწებავ მასას, რ-ის საშუალებითაც მათი კვერცხები თმას ეწებება. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი ზრდასრული ფორმისაგან მცირე ზომით განსხვავდება. მთელ სასიცოცხლო ციკლს ტ. ატარებს მასპინძელზე. ადამიანის პარაზიტებია ადამიანის ტ. და ბოქვენის ტ., დანარჩენები კი ძუძუმწოვრების პარაზიტებია. ცნობილია ა დ ა მ ი ა ნ ი ს ტ-ის (Pediculus humanus) 2 ფორმა: P. h. capitis ძირითადად ბინადრობს თმაში, P. h. vestimenti კი — ტანსაცმელში. ადამიანის ტ. დღე-ღამის განმავლობაში 2—3-ჯერ წოვს სისხლს. ამჟამად ცნობილია ტ-ის 200-ზე მეტი სახეობა. ტ-ს გადააქვთ ინფექციური დაავადებები (მუცლის ტიფი, ციება და სხვ.).



ტილები (ზემოდან ქვემოთ): თავის ტილი (მამალი და დედალი); ტანსაცმლის ტილი (მამალი); ბოქვენის ტილი (Phthirus pubis).

ტილზიტის ზავი 1807, საფრანგეთსა და რუსეთს, და საფრანგეთსა და პრუსიას შორის დადებული ხელშეკრულებები, რ-ებზეც ხელი მოაწერეს ტილზიტში (ახლანდ. ქ. სოვეტსკი, კალინინგრადის ოლქი) 1807 წ. 25 ივნ. (7 ივლ.) და 9 ივლ. 1806—07 რუსეთ-პრუსია-საფრანგეთის ომის დროს. ამ ზავით პრუსიამ დაკარგა ტერიტ. და მოსახლ. დაახლ. ნახევარი. ელბის მარცხ. ნაპირის მიწები გადაეცა ახალ-



ტილჭირი (Aconitum brachynasum).



ვ. ტიმაკოვი.



ტიმალიასებრნი. ზოლიანი ბუჩქნარულა.



ა. ტიმირიაზევი.

შექმნილ ეესტფალიის სამეფოს, კოტბუსის ოლქი — საქსონიას, ბელოსტოკის ოლქი — რუსეთს, ხოლო დანციგი (გდანსკი) თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა; პოლ. მიწებით, რ-ებიც დანაწილების შედეგად პრუსიას ჰქონდა შეერთებული, შედგა *ვარშავის საჰერცოგო*.

საიდუმლო ტრაქტატით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთად იბრძოლებდნენ ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ. თუ ინგლისი უარყოფდა რუს. შუამდგომლობას საფრანგეთთან ზავის დადების თაობაზე, არ დაუშვებდა ზღვებზე თავისუფლებას და საფრანგეთს არ დაუბრუნებდა 1805 შემდეგ დაპყრობილ კოლონიებს, რუსეთს კავშირი უნდა გაეწყვიტა ინგლისთან და მიმხრობოდა *კონტინენტურ ბლოკადას*. თუ ოსმალეთი უარყოფდა საფრ. შუამდგომლობას, ნაპოლეონი პირობას დებდა დაეწყო მასთან ომი. რუს.-საფრ. ზავით პრუსიას, ტერიტ. დათმობების გარდა, არმია უნდა შეემცირებინა 40 ათ. კაცამდე, საფრანგეთისათვის გადაეხადა კონტრიბუცია 100 მლნ. ფრანკის რაოდენობით და შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას. ტ. ზ. გერმ. ეროვნ. ღირსების დამცირება იყო. ამიტომ მას მოჰყვა ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ზრდა. რუსეთში ტ. ზ-ს განიხილავდნენ როგორც არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებას, რ-იც ქვეყნის ღირსებას ამცირებდა. ტ. ზ-მა ვერ გადაჭრა საფრანგეთსა და რუსეთს შორის არსებული წინააღმდეგობა.

ტილი (Tyl) იოსეფ კაეტან (4. II. 1808, კუტნა-გორა, — 11. VII. 1856, პლზენი; დაკრძალულია პრაღაში), ჩეხი მწერალი, დრამატურგი; ჩეხ. ეროვნ. თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ტ-ის სანტიმენტალურ-რომანტ. პროზას რეალისტური ელფერიც დაკრავს (მოთხრობები „ქურდი", „ღარიბთა ცხოვრებიდან" და სხვ.). ტ-მა დრამატურგიაში შექმნა თავისებური ჟანრი — აქტუალური საზ. შინაარსის პოემა-ზღაპარი („ჯვიუტი დედაკაცი", 1849 და სხვ.). მისი ისტ. დრამები „იან ჰუსი" (1849), „მოქალაქენი და სტუდენტები" (1850, გამოქვეყნდა 1870) შეიქმნა 1848 რევ. პერიოდში. მასვე ეკუთვნის ყოფითი დრამები.

ტილი (Tilly) იოჰან ცერკლას (II, 1559, ბრაბანტი, — 30. IV. 1632, ინგოლშტადტი), გრაფი, *ოცდაათწლიანი ომის* (1618—48) მონაწილე მხედართმთავარი. ფელდმარშალი (1605). 1674-იდან ესპ., შემდეგ ავსტრ. სამხ. სამსახურში იყო. 1610 გადავიდა მაქსიმალიან ბავარიელთან და *კათოლიკური ლიგის* (1609) ჯარების მთავარსარდალი გახდა. ოცდაათწლიან ომში მოიპოვა მთელი რიგი გამარჯვებები (ჩეხიის ჯარების განადგურება ბელაიაგორათასთან 1620 წ. 8 ნოემბ., დანიის მეფის კრისტიან IV-ის დამარცხება ლუტერთან 1626 წ. 27 აგვ. და სხვ.). ა. ვალენშტაინის გადადგომის შემდეგ (1630) — საიმპერიო არმიის მთავარსარდალი. 1631 წ. 17 სექტ. ბრაიტენფელდთან ბრძოლაში დაამარცხა შვედეთის არმიამ. შვედებთან ბრძოლაში მდ. ლეხთან სასიკვდილოდ დაიჭრა.

ტილიტი (ინგლ. tillite<till — კაჭრიანი თიხა), ძველი *მორენა*, გამკვრივებული და ზოგჯერ მეტამორფიზებული დაუხარისხებელი ნატეხი ქანები. ტ. შედგება არაშრეებრივი წვრილმარცვლოვანი მასალისაგან, რ-შიც ჩართულია სხვადასხვა ზომისა და შედგენილობის, მყინვარული ნაკაწრების მქონე კაჭარი. ტ-ის არსებობა ამა თუ იმ რეგიონის გეოლ. ჭრილში ძვ. გამყინვარებაზე მიუთითებს.

ტილჭირი (Aconitum), მცენარეთა გვარი ხარისძირასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. ტუბერისებრ გამსხვილებული ფესვები და თათისებრ რთული ფოთლები აქვთ. მათი ყვითელი, ლურჯი ან ისფერი ყვავილები კენწრულ მტევნებადაა შეკრებილი. აქვთ მარტივი გვირგვინისებრი, ხუთფურცლიანი ყვავილსაფარი. ზედა ფურცელი მუზარადივითაა ზემოდან წამოფარებული და შიგ ორი გრძელი სანექტრეა ჩამალული. ნაყოფი ფოთლურაა. 300-მდე სახეობა ძირითადად გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში. სსრკ-ში გვხვდება 75 სახეობა, საქართველოში — 6; იზრდება ტყეში, სუბალპ. და ალპ. მდელოებზე. შხამიანია. შეიცავს ალკალოიდებს (აკონიტინს და სხვ.). თუ თივაში შეყვა, ცხოველს მოწამლავს. ტ-ის თითქმის ყველა სახეობა დეკორატიულია.

ლ. ხინთიბიძე.

ტიმაკოვი ვლადიმერ დიმიტრის ძე [26. VI (9.VII). 1905, სოფ. პუსტოტინო, ახლანდ. კორაბლინოს რ-ნი, რიაზანის ოლქი, — 21. VI. 1977, მოსკოვი], საბჭ. მიკრობიოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. (1968) და სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1952). სოციალ. შრომის გმირი (1975). სკკპ წევრი 1941-იდან. 1953—57 სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი, 1957—63 სსრკ მედ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1968-იდან გარდაცვალებამდე — სსრკ მედ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი. ტ-ის უმთავრესი ნაშრომები ეხება ეპიდემიური პროცესების კანონზომიერებათა შესწავლას, ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტ. საშუალებებისა და მეთოდების შემუშავებას, მიკროორგანიზმების ცვალებადობისა და გენეტიკის, თეორ. და გამოყენებითი იმუნოლოგიის, ვირუსოლოგიის, მ. შ. ბაქტერიოფაგიის საკითხებს. ბულგ. მეცნ. აკად. წევრი (1969). სკკპ XXIV და XXV ყრილობების დელეგატი, სსრკ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1974 მიენიჭა (გ. კაგანთან ერთად) ლენინური პრემია, 1952 — სსრკ სახელმწ. პრემია, დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

ტიმალიასებრნი (Timaliidae), ფრინველთა ოჯახი *ბეღურასნაირთა* რიგისა. გავრცელებულია აფრ., სამხრ. აზიის, ოკეანიისა და ავსტრალ. სუბტროპიკებსა და ტროპიკებში. მოიცავს 52(57) გვარში გაერთიანებულ 260 (280) სახეობას. ბინადრობენ სხვადასხვა ტიპის ტყეებსა და ბუჩქნარებში. სსრკ-ში (შუა აზიის მთებში) გვხვდება ტ-თა 1 სახეობა — ზოლიანი ბუჩქნარულა (Garrulax lineatus).

რ. ჟორდანია.

ტიმაშოვსკი, ქალაქი (1966-მდე სტანიცა ტიმაშოვსკაია) რსფსრ კრასნოდარის მხარეში, მდ. კირპილის ნაპირზე. ტიმაშოვსკის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო გზების კვანძი. არის შაქრის, აგურის, კომბინირებული საკვების, ქერელის ქ-ნები, სასათბურე კომბინატი, აგრო-სამრეწვ. საწარმოო გაერთიანება, რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები.

ტიმგადი (ძვ. სახელწ. თამუგადი, რომაული — Colonia Marciana Traiana Thamugas), ძვ. ქალაქი ჩრდ. აფრიკაში. დაარსდა იმპ. ტრაიანეს დროს ახ. წ. 100. განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია II—III სს-ში. V ს-ში დაანგრიეს ბერბერებმა, აღადგინეს ბიზანტიელებმა, VII ს-ში საბოლოოდ გაანადგურეს არაბებმა. გეგმით თითქმის კვადრ. (დაახლ. 360×330 მ²) ქალაქს ჰქონდა მკაცრი რეგულარული გეგმა და განაშენიანებული იყო ერთნაირი კვარტალებით. ქვიშის ფენაში კარგად შემოინახა ფორუმის, კაპიტოლიუმის, იმპ. ტრაიანეს პატივსაცემად აღმართული სატრიუმფო თაღის (რესტავრირებულია 1900), ავრეთვე თეატრის, ბაზილიკის, თერმებისა და საცხოვრ. სახლების ნაშთები, ბიზანტ. ხანიდან — 8-კოშკიანი კვადრ. ფორმის ციტადელი, ქრისტ. ეკლესიების ნაშთები. გამოვლინდა ლათ. წარწერები, მოზაიკა, ქანდაკება და სხვ.

ტიმირიაზევი კლიმენტ არკადის ძე [22. V (3. VI). 1843, პეტერბურგი, — 28. IV. 1920, მოსკოვი], ბუნებისმეტყველი დარვინისტი, მცენარეთა ფიზიოლოგიის რუს. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პეტერბ. მეცნ. კად. წ.-კორ. (1890). 1865 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი, 1868 საპროფესოროდ მოსამზადებლად 2 წლით მიავლინეს საზღვაოგარეთ, სადაც მუშაობდა ჟ. ბუსენგოს, კ. *ბერნარის*, ვ. ჰოფმაისტერის, რ. ბუნზენისა და სხვ. ლაბორატორიებში. 1870—72 ასწავლიდა პეტროვსკოე-რაზუმოვსკოეს სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემიაში (ამჟამად კ. ტიმირიაზევის სახ. ჩოსკ. სას.-სამ. აკადემია), 1878-იდან მოს. უნ-ტის პროფესორი (1902 დამს. ორდინრული პროფესორი) იყო.

ტ-ის უმთავრესი გამოკვლევები ეხება *ფოტოსინთეზის* პროცესის შესწავლას. მან დაადგინა, რომ მცენარის ქლოროფილის ნახშირორჟანგიდან ნახშირბადის ასიმილაცია ხდება მზის სხივების ენერგიის ხარჯზე. ტ-მა პირველმა გამოთქვა ჰიპოთეზა, რომ ქლოროფილი არა მარტო ფიზიკურად მონაწილეობს ფოტოსინთეზის პროცესში, არამედ ქიმიურადაც. მანვე აღმოაჩინა ფოტოსინთეზის სხივური გაჯერების მოვლენა, ცდებით დამტკიცა, რომ ფოტოსინთეზის პროცესს შეიძლება მივუყენოთ ენერგიის შენახვისა და ფოტოქიმ. პირველი კანონი. ლინდინის სამეფო საზ-ბაში წაკითხულ ე. წ. „რუბიანის ლექციაში „მცენარის კოსმოსური როლი" (1903, რუს. თარგმ. 1904) ტ-მა განაზოგადა თავისი მრავალი წლის გამოკვლევები ფოტოსინთეზის დარგში და გვიჩვენა, თუ როგორ წარმოიქმნება ჭვრნე მცენარეებში ამ პროცესის შედეგად ორგ. ნივთიერებანი და ენერგია, რ-ებიც აუცილებელია ყველა ორგ. ნიშის ცხოველმოქმედებისათვის. ფოტოსინთეზის ენერგეტ. კანონზომიერებების აღმოჩენით ტ-მა დიდი წვლილი შეიტანა ნივთიერებათა და ენერგიის წრებრუნვის პროცესში ცოცხალი და არაცოცხალი მატერიის ერთიანობისა და კავშირის შესახებ მოძღვრებაში.

ტ. იყო დარვინიზმის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი რუსეთში. იგი დარვინის ევოლ. მოძღვრებას განიხილავდა როგორც XIX ს. მეცნ. უდიდეს მიღწევას. დარვინის ევოლ. მოძღვრების მნიშვნელობას ტ-მა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა („დარვინის თეორიის მიკლე ნარკვევი", 1865, „ჩარლზ დარვინი და მისი მოძღვრება", 1882 და სხვ.). საშრომში „ისტორიული მეთოდი ბიოლოგიაში" ტ-მა, რ-იც ეყრდნობოდა დარვინის მოძღვრებას ბუნებრივი გადარჩევის შესახებ, მეცნიერულად ახსნა მცენარეთა ფუნქციების, კერძოდ, ფოტოსინთეზის ევოლუცია, ქლოროფილის უნივერს. გავრცელება ავტოტროფულ მცენარეებში. ტ-ს მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მეცნ. პოპულარიზაცია. ამის კლასიკური მაგალითია მისი ნაშრომი „მცენარის სიცოცხლე" (1878), რ-იც მრავალჯერ გამოსცეს რუს. და უცხ. ენებზე.

ტ-ის სახელი მიეკუთვნა მოსკ. სას.-სამ. აკადემიას, სსრკ მეცნ. აკად. მცენარეთა ფიზიოლ. ინ-ტს და სხვ. სარკ მეცნ. აკადემიაში დაწესებულ ტიმირიაზევის სახ. პრემიას 3 წელიწადში ერთხელ ანიჭებენ საუკეთესო ნაშრომებს მცენარეთა ფიზიოლ. დარგში.

ტ. იყო ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1911), გლაზგო (1901), კემბრიჯისა (1909) და ჟენევის (1909) უნ-ტების საპატიო დოქტორი, ედინბურგის ბოტან. საზ-ბის წ.-კორ. (1911), რუს. მრავალი უნ-ტისა და სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი.

თხზ.: Сочинения, т. 1-10. М., 1937—40; Избр. соч., т. 1—4, М, 1948—49; მცენარის სიცოცხლე, თბ., 1956

ლიტ.: Цетлин Л. С., К. А. Тимирязев, 2 изд., М., 1952 Чайлахян

М. Х., К. А. Тимирязев — ученый, борец, мыслитель, М., 1960.

ტიმიში (Timiş), ჟუდეცი დას. რუმინეთში. ფართ. 8,7 ათ. კმ². მოსახლ. 709 ათ. კაცი (1979). ადმ. ც.—ქ. ტიმიშოარა. ეკონომიკურად ტ. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ჟუდეცია. იღებენ ნავთობს, ბუნებრივ აირს, ლიგნიტს. მანქანათსაშ., ქიმ., კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. ხორბლის, სიმინდის, ქერის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის ნათესები. მებოსტნეობა, მებაღეობა. მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ღორი, ცხვარი).

ტიმიშოარა (Timişoara), ქალაქი დას. რუმინეთში, ბეგის არხზე (მდინარეზე), რ-იც ტ-ს დუნაისთან აკავშირებს. ტიმიშის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 287,5 ათ. მკხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. მანქანათსაშ. (ელექტროძრავები, სას.-სამ. მანქანები), საფეიქრო, კვების, ქიმ., ტყავ-ფეხსაცმლის, ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა. ნავთობქიმ. კომბინატი. უნ-ტი. იხსენიება XIV ს-იდან. ხუროთმოძღვრული ძეგლები: ბაროკოს სტილის ეკლესია და მონასტრები (XVIII ს.). ი. ჰუნიადის ციხე-დარბაზი (XV—XIX სს.; ახლა საოლქო მუზეუმი), თეატრი (XIX ს. დასასრ. —XX ს. დასაწყ.). 1940-იან წლებში რეკონსტრუირებულია ქალაქის ცენტრი. აშენდა ახ. შენობები: უნ-ტი (1968), სპორტკომპლექსი (1969), სასტუმრო „კონტინენტალი“ (1971) და სხვ.

გ. ყურაშვილი.

ტიმოთელა (Phleum), ერთ- და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. აქვს თავთავისებრი ან ველა ყვავილედი, ერთყვავილიანი თავთუნი, მოგრძო-ოვალური მარცვალა ნაყოფი. ივითარებს მეჩხერ ბუჩქს. ევროპაში, აზიასა და აფრიკაში გავრცელებულია 15 სახეობა, სსრკ-ში — 11. ცხოველთა საკვებად იყენებენ 4 სახეობას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მდელოს ტ. მისი 100 კგ თივა შეიცავს 49 საკვებ ერთეულს და 3,1 კგ მონელებად პროტეინს.

გ. ყურაშვილი.

ტიმოთეს უბანი, კიმოთესუბანი, სოფელი ბორჯომის რ-ში (წალევრის სადაბო საბჭო), თორის ქვაბულში (ისტ. თორის შუაგულში), გვირგვინის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 მ, ბორჯომიდან 17 კმ, წალევრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 კმ. 2რ კომისრის სახ. წალევრის კოლ-ბა (მეცხოველეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა დაბა წალევრში. ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი. შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — დიდი სამონასტრო კომპლექსი (XI — XVIII სს.), რ-ის მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (XII—XIII სს. მიჯნა). ნაგებია მოვარდისფრო „ქართული აგურით“. ჩახაზული ჯვრის ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას აღმ. მხარეს 3 შეერილი აფსიდი აქვს. გუმბათის ყელი დაყრდნობილია 2 თავისუფლად მდგარ ბოძსა და საკურთხევლის კედლის შეერილებზე. მოგვიანებით დას. მხრიდან აგურის კარიბჭე მიაშენეს, სამხრ-იდან — გათლილი ქვისა. შიგნით ეკლესია მთლიანად მოხატულია. მხატვრობა შესრულებულია არაა უგვიანეს XIII ს. 20-იანი წლებისა და თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალე ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. თავისი იკონოგრაფიული პროგრამა-შემადგენლობით იგი არაჩვეულებრივად მდიდარი და ტიპურად ქართულია. მოხატულობაში ცხადად განირჩევა სხვადასხვა ოსტატის ხელწერა. ისინი სტილისტური ერთიანობის ფარგლებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი მკვეთრი, სრულიად განუმეორებელი ხასიათით. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია XII—XIII სს. გამორჩენილი ქართ. სამხ. მოღვაწე შალვა თორელ-ახალციხელი, რ-საც მიეწერება ტ-ის მონასტრის გაფართოება, დიდი ტაძრის აგება და მოხატვა. მოხატულობა გაწმინდეს და შეისწავლეს 1972—76 (ხელმძღვ. ე. პრივალოვა). ტაძრის ჩრდ-ით სამონასტრო ნაგებობათა (X—XI სს.) ნაშთია. შემონახულია აგრეთვე თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (XI ს.).

ლიტ.: გორდეევი დ., ტიმოთეს უბანი, «საბჭოთა ხელოვნება», 1940, № 4; Привалова Е. Л., Роспись Тимотесубани, Т6., 1980. *ე. პრივალოვა.*

ტიმოლეონტი (Timoleōn) (დაახლ. ძვ. წ. 411 — დაახლ. 337), ძვ. ბერძენი (კორინთელი) პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი. 344 სათავეში ედგა სამხ. ექსპედიციას კორინთის კოლონიის სირაკუსის ტირანის დიონისე II-ისა და კართაგენის (ეს უკანასკნელი ცდილობდა სირაკუსის მიტაცებას) წინააღმდეგ. ტ-მა სირაკუსასა და სიცილიის სხვა ქ-ებშიც ტირანია დაამხო, დემოკრატია დაამყარა და სიცილიის ქ-ები სირაკუსის კავშირში გააერთიანა (339). კართაგენი დაამარცხა (341) და ზავი დადო, რ-ის შედეგადაც კართაგენს სიცილიის მხოლოდ დას. ნაწილი რჩებოდა. ტ-ის ცხოვრება აღწერეს პლუტარქემ და კორნელიუს ნეპოტმა.

ტიმონიანი ანტი ნიკოლოზის ძე [დ. 18. IV (1.V). 1915, სოფ. ლუსალმა, ახლანდ. კარელ. ასსრ], კარელიელი საბჭ. მწერალი. წერს ფინ. ენაზე. სკკპ წევრი 1942-იდან. მოთხრობათა პირველი კრებ. 1933 გამოაქვეყნა. ტ-ს ეკუთვნის რომანები „თეთრფრთიანი ფრინველი“ (1961), „აქ არის ჩემი სახლი“ (1966), „ჩვენ—კარელიელები“ (1969), მოთხრობები, პიესები და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტიმორი (Timor), კუნძული მალაის არქიპელაგში. ფართ. დაახლ. 34 ათ. კმ² (უდიდესია მცირე ზონდის კ-ებში). რელიეფი მთიანია (სიმაღლე 2950 მ-მდე). არის ტალახის ვულკანები. ჰავა სუბეკვატორული მუსონურია. ჰაერის ტემპ-რა საწაპიროზე მთელი წლის მანძილზე 25—27°C. ნალექები დაახლ. 1500 მმ წელიწადში. მცენარეულობა — მაღალბალახოვანი სავანა, ტროპ. ტყის უბნები. ჯავის, ქოქოსის პალმის პლანტაციები. მოჰყავთ ბრინჯი და სიმინდი. მთავარი ქ-ებია კუპანგი და დილი.

ადრინდ. ისტ. ცნობები ტ-ის შესახებ ეკუთვნის XIV ს., როცა მისი მოსახლ. იავის სახელმწ. *მაჯაპაჰიტის* მოხარკე იყო. XVI ს-ში. ტ. პორტუგ. კოლონ. ექსპანსიის ობიექტი გახდა. 1613 ტ-ზე პოლანდიელები მოვიდნენ. XVIII ს. დას. კუნძული გაიყო ნიდერლანდმა (სამხრ.-დას. ნაწილი) და პორტუგალიამ (ჩრდ.-აღმ. და დას. მცირე ნაწილი). II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ტ. იაპონიამ დაიკავა. ინდონეზ. რესპუბლიკის შექმნისთანავე (1945) ტ-ის ნიდერლანდური ნაწილი მის შემადგენლობაში შევიდა. 1974 წ. 25 აპრ. პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება ტ-ის პოლიტ. გაერთიანების შესახებ, რ-ის დროს თავი იჩინა პოლიტ. პარტიებს შორის უთანხმოებამ: აღმ. ტ-ის დამოუკიდებლობის რევ. ფრონტი — ფრეტილინი (დაარსდა 1970) მოითხოვდა აღმ. ტ-ის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადებას. ტ-ის სახ. დემოკრ. ასოციაცია — აპოდეტი (დაარსდა 1974 მაისში) და ტ-ის დემოკრ. კავშირი — უდტი (დაარსდა 1974 მაისში) — ინდონეზიასთან გაერთიანებას. 1975 დეკ-ში პროინდონეზიური პარტიების მომხრეებმა ინდონეზ. ჯარების მხარდაჭერით ხელში ჩაიგდეს ქ. დილი. გაეროს გენ. ასამბლეამ (1975 დეკ.) და უშიშროების საბჭომ (1975 დეკ.) მოუწოდეს ინდონეზ. დაუყოვნებლივ გაეყვანა თავისი ჯარი აღმ. ტ-იდან. 1976 წ. 17 იელ. აღმ. ტ. შევიდა ინდონეზიის შემადგენლობაში როგორც 27-ე „პროვინცია“. 1876—81 გრძელდებოდა ფრეტილინის ბრძოლა მთავრობის ჯარებთან.

ტიმორის ზღვა (Timor Sea), ინდოეთის ოკეანის განაპირა ზღვა ავსტრალიასა და კ. ტიმორს შორის. ფართ. 432 ათ. კმ². მაქს. სიღრმე 3310 მ (ტიმორის ღრმული). დინებები ზამთრობით მიმართულია აღმ-კენ, ზაფხულობით — დას-კენ. წყლის ტემპ-რა ზედაპირზე ცვალებადობს სეზონების მიხედვით 25-იდან 29°C-მდე. მარილიანობა 24,0—35,0‰. მოქცევა არასწორი დღეღამურია, სიმაღლე 3—4 მ. სამხრ-ით არის ნავსადგური დარვინი (ავსტრალია).

ტიმოშენკო ნინო ვლადიმერის ასული (დ. 11. VI. 1935, ლენინგრადი), საბჭ. ბალეტის მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1969). 1953 დაამთავრა ლენინგრ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ჯერ კიდევ მოწაფეობის პერიოდში შეასრულა მაშას პარტია (ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“, 1951). 1953—56 ლენინგრ. ს. კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის, ხოლო 1956-იდან-დიდი თეატრის სოლისტი. ტ. სრულყოფილად ფლობს კლასიკური ცეკვის ტექნიკას, მისი შესრულება გამოირჩევა სრულყოფილი ქორეოგრაფიული ლექსიკით, მუსიკალობით, პლასტიკით. პარტიები: ოდეტა-ოდილია (ჩაიკოვსკის „გედის ტბა“), კიტრი (მინკუსის „დონ კიხოტი“), მეჰმენე-ბანუ (მელიქოვის „ლეგენდა სიყვარულზე“), ლეილი (ბალასანიანის „ლეილი და მაჯნუნი“), ეგინა (ხაჩატურიანის „სპარტაკი“) და სხვ. სსრკ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ორდენით.



ტიმოთესუბანი. ეკლესია. XIII ს. დასაწყისი. სამხრეთ-დასავლეთის ხედი.



ნ. ტიმოშენკო.

ტიმოშენკო სემიონ კონსტანტინეს ძე [6(18). II. 1895, სოფ. ფურმანკა, ახლანდ. ფურმანოვკა, კილიის რ-ნი, ოდესის ოლქი, — 31. III. 1970, მოსკოვი], საბჭ. მხედართმთავარი, საბჭ. კავშირის მარშალი (7. V. 1940), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (21. III. 1940 და 18. II. 1965). სკკპ წევრი 1919-იდან. I მსოფლიო ომისა (1914—18) და სამოქალაქო ომის (1918—20) მონაწილე. დაამთავრა უმაღლესი აკად. კურსები (1922 და 1927) და ვ. ი. ლენინის სახ. სამხ.-პოლიტ. აკადემიასთან არსებული სამეთაურო კურსები (1930). სამოქალაქო ომის შემდეგ მთელი რიგი სამხ. ოლქების ჯარების სარდალი იყო. 1939 სექტ. სარდლობდა უკრ. ფრონტის ჯარებს, რ-ებიც მონაწილეობდნენ დას. უკრაინის განთავისუფლებაში, ხოლო საბჭ. კავშირ-ფინეთის ომში (1939—40) — ჩრდ.-დას. ფრონტს. 1940 მაისიდან 1941 ივლ-მდე სსრკ თავდაცვის სახ. კომისარი. დიდ სამამულო ომში (1941—45) მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი (19 ივლ-მდე), შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წევრი, თავდაცვის სახ. კომისრის მოადგილე (1941 ივლ.-სექტ.), დასავლეთის, სამხრ.-დასავლეთის მიმართულებების მთავარსარდალი, დასავლეთის

კ. ტიმოშენკო.

ტიმგადი. ფორუმი.





ს. პ. ტიმოშენკო.

სამხრ.-დასავლეთის, სტალინგრადისა და ჩრდ.-დასავლეთის ფრონტების სარდალი. 1943 მარტიდან ომის დამთავრებამდე კოორდინაციას უწევდა რიგი ფრონტების მოქმედებას. ომის შემდეგ იყო რიგი სამხ. ოლქების ჯარების სარდალი, სსრკ თავდაცვის სამინისტროს გენ. ინსპექტორების ჯგუფის გენ. ინსპექტორი. 1939—52 სკპ(ბ) ცკ-ის წევრი, 1952—70 სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, სსრკ I—VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, გამარჯვების ორდენით, 9 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტიმოშენკო (Timoshenko) სტეფანე პროკოფის ძე [11(23). XII. 1878, სოფ. შპოტოვკა, ახლანდ. სუმის ოლქი, — 29. V. 1972, ვუპერტალი, გფრ], მეცნიერი მექანიკის დარგში. დაამთავრა პეტერბ. მიმოსვლის გზათა ინ-ტი (1901), 1903—06 იქვე კითხულობდა ლექციებს. 1907—17 იყო კიევისა და პეტროგრ. ინ-ტების პროფესორი. მონაწილეობდა უკრ. სსრ მეცნ. აკად. ჩამოყალიბებაში (1918-იდან ამ აკად. აკადემიკოსი). 1920-იდან იყო ემიგრაციაში: იუგოსლავიაში (1920—21), აშშ-ში (1922—60), გფრ-ში (1960—72). ტ-ს ძირითადი შრომები ეხება მყარი დეფორმირებადი სხეულების მექანიკასა და ნაგებობათა გაანგარიშებას. ჩაატარა სამუშაოთა ციკლი თხელი ფირფიტებისა და გარსების თეორიაში. გადაწყვეტა საინჟინრო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი მრავალი ამოცანა, გაიანგარიშა ცალკეული კონსტრუქციები. მსოფლიოს მრავალ აკად. წევრი. სსრკ მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1928-იდან).

თხზ.: Теория упругости, пер. с англ., М., 1975 (თანაავტ.: Дж. Гудьер); Устойчивость стержней, пластин и оболочек, М., 1971.

ტიმპანი (<ბერძნ. tympanon—დოლი) არქიტექტურაში, 1. ფრონტონის სამკუთხედის ფორმის არე. 2. სარკმლის ან კარის თავზე მოთავსებული ნახევრად წრიული, სამკუთხა ან ისრული ფორმის ნიში. ტ-ში ათავსებენ ქანდაკებას, ფერწერულ გამოსახულებას და სხვ. ქართ. ძეგლებში ტ-ის ქვაზე ხშირია რელიეფი, წარწერები და სხვ.

ტიმპანი მუსიკაში, უძველესი დასარტყმელი მუსიკალური საკრავი. 1. სპილენძის თეფშების ნაირსახეობა, 2. მცირე ზომის *ლიტავრის* ნაირსახეობა.

ტიმპანია ფაშვისა (<ბერძნ. tympanon—დოლი), დაავადება, რ-ისთვისაც დამახასიათებელია მცხოვანი ცხოველების ფაშვში ჭარბი აირების დაგროვება. უმთავრესად ავადდება მსხვ. რქ. საქონელი. ტ. ფ. მწვავე ხასიათს მაშინ ღებულობს, როდესაც ცხოველი ჭარბად იკვებება ისეთი საკვებით, რ-იც ადვილად დუღდება ანდა გაფუჭებულია, ან როცა მშრალ საკვებს სწრაფად ენაცვლება წვნიანი ან კიდევ, როცა ბაგური შენახვიდან ცხოველი უცრად გადაჰყავთ საძოვრულ შენახვაზე. მკურნალობა: იქთიოლის, კრეოლინის, ფორმალინისა და დუღილის საწინააღმდეგო სხვა საშუალებები. ფაშვის მასაჟი, ზონდირება, გამორეცხვა და სხვ. პროფილაქტიკა: მცხოვნავი ცხოველების კვების წესების მკაცრად დაცვა.



ტიმპანი (არქიტექტურაში)· ჯვრის ტაძარი მცხეთაში. სამხრეთის კარის ტიმპანი.

ტიმ-პორონაის დადაბლება, ტექტონიკური დადაბლება დას. სახალინისა და აღმ. სახალინის მთებს შორის (კ. სახალინი). სიგრძე 250 *კმ*, სიგანე — 5—60 *კმ*. შექმნილია ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ორი ხეობისაგან. ჩრდ-ით მიედინება მდ. ტიმი, სამხრ-ით — მდ. პორონაი. მდ. ტიმის ხეობა უფრო ვიწროა, შემოსილია ლარიქსის ტაიგით. ტ.-პ. დ-ის სამხრ. ნაწილი ფართოა, უკავია პორონაის დაჭაობებულ დაბლობს. ტ.-პ. დ. კ. სახალინის ჩრდ. ნაწილის სას.-სამ. წარმოების რ-ნია.

ტიმრავა (Timrava) [ნამდვ. სახელი და გვარი ბოჟენა სლანჩიკოვა (Slánčiková)] (2. X. 1867, პოლიხნო,— 27. XI. 1951, ლუჩენეცი), სლოვაკი მწერალი ქალი. ჩეხოსლ. სახ. ხელოვანი (1947). დაიბადა მღვდლის ოჯახში. მთელი ცხოვრება სოფლად გაატარა. ნაწარმოებებს 1893-იდან აქვეყნებდა. 1896—1907 დაწერილ მოთხრობებში ასახა პროვინციელი ინტელიგენციის („გვიან", „მეჯღლისი", „ბრძოლა" და სხვ.), 1907—14 პერიოდის მოთხრობებში კი—გლეხთა („უსიხარულოდ", „დესპოტი", და სხვ.) ცხოვრება. ტ-ს შემოქმედების მწვერვალია ომის საწინააღმდეგო მოთხრ. „გმირები" (1918). მოთხრობები „ყველაფერი ხალხისათვის", „ორი ეპოქა" და სხვ. ბურჟ. რესპ. პერიოდისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს ავლენს.

თხზ.: Без радости. [Предисл. Ю. Богданова], М., 1960.

ლიტ.: Карская Т. С., Тимрава, წგნ.: История словацкой литературы, М., 1970.

ტინამუსნაირნი, ფარულკუდიანები (Tinamiformes), ფრინველთა რიგი. მათი სხეულის სიგრძე 20—53 *სმ*, მასა 200 *გ* — 1,5 *კგ* აღწევს. გავრცელებული არიან ამერ. ტყეებში, ბუჩქნარებსა და ველებზე მექსიკიდან პატაგონიამდე. ფრენა არ უყვართ. ბუდედ იყენებენ მიწაში ამოთხრილ პატარა ორმოებს. დებენ 1—6 (12-მდე) კვერცხს, ინკუბაციის ხანგრძლივობა — 19—20 დღ-ღ. კრუხობს მამალი. ფორმათა უმრავლესობა პოლიგამიურია, ნაწილი — მონოგამიური. აღწერილია 56 სახეობა, რ-თაგან 14 ამომწყდარია. ტ. იკვებებიან მცენარეული და ცხოველური საკვებით (მწერებით, სხვა უხერხემლოებით, პატარა-პატარა ქვეწარმავლებით). სანადირო ობიექტებია.

რ. ჟორდანია.

ტინბერგენი (Tinbergen) იან (დ. 12. IV. 1903, ჰააგა), ჰოლანდიელი ეკონომისტი, ეკონომეტრიის ფუძემდებელი, ნიდერ. მეცნ. აკად. წევრი. ნიდერლანდის ეკონომეტრიის სკოლის პროფესორი (1933—იდან). 1945—55 დაგეგმვის ბიუროსა და პროგრამირების დირექტორი, 1965—72 — გაეროს დაგეგმვის კომიტეტის პრეზიდენტი. ტ-ის ძირითადი შრომები ეხება ეკონ. პოლიტიკის თეორიას, კაპიტალ. ციკლის პრობლემებს, ეკონ. განვითარების მოდელირებას. წამოაყენა „ოპტიმალური წყობილების" თეორია, რ-იც *კონვერგენციის თეორიის* ერთ-ერთი ვარიანტია. უკანასკნელ პერიოდში იკვლევს განვითარებადი ქვეყნების ეკონ. პრობლემებს. ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭა 1969 ეკონ. პროცესების ანალიზის მათ. მეთოდების დამუშავებისათვის.

თხზ.: Les cycles économiques aux Etats-Unis d'Amérique de 1919 à 1932, Gen., 1939; International economic integration, 2 ed., Amst., 1965; Математические модели экономического роста, М., 1967 (თანაავტ.: Х. Бос).

ლიტ.: ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4, თბ., 1969; Baudhuin F., Dictionnaire de l'économie contemporaine, Verviers, 1977. *გ. კაბნიაშვილი.*

ტინგი (Ting) სემიუელ (დ. 1936), ამერიკელი ფიზიკოსი. მუშაობდა ბირთვული კვლევის ევრ. ორგანიზაციასა (ჟენევა) და კ ლუმბიის უ-ტში. 1967-იდან მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტის პროფესორი. ბ. *რიხტერისაგან* დამოუკიდებლად აღმოაჩინა (1974) ახ. ტიპის მძიმე ელემენტარული ნაწილაკი (J/ψ), რისთვისაც მასთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკაში (1976).

ტინდალის ეფექტი, ტ ი ნ დ ა ლ ი ს გ ა ბ ნ ე ვ ა, *სინათლის გაბნევა* ოპტიკურად არაერთგვაროვან გარემოში სინათლის კონის გავლისას; ჩვეულებრივ, შეინიშნება ბნელ ფონზე ნათელი კონუსის (ტ ი ნ დ ა ლ ი ს კ ო ნ უ ს ი ს) სახით. ტ. ე. ხდება მაშინ, როცა გარემოს ნაწილაკთა ზომები $\approx 0{,}1\lambda$, სადაც λ სინათლის ტალღის სიგრძეა. ტ. ე. დამახასიათებელია კოლოიდური სისტემისათვის (მაგ., ლითონის ზოლი, თამბაქოს კვამლი და სხვ.), რ-შიც ნაწილაკებისა და სადისპერსიო გარემოს *გარდატეხის მაჩვენებლები* ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ტ. ე-ზე დაფუძნებულია კოლოიდური ნაწილაკებისა და მაკრომოლეკულების ზომის, ფორმისა და კონცენტრაციის განსაზღვრის ოპტ. მეთოდები. ტ. ე. აღმოაჩინა ინგლ. ფიზიკოსმა ჯ. ტინდალმა (I. Tyndall; 1820—1893).

ტინდიელები, ეთნიკური ჯგუფი დას. დაღესტანში.

ტინდიური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია აულებში ტინდიში, ანღიდაში, აქნადაში, ეჩედაში, ტისიში. ტ. ე-ზე ლაპარაკობს 5 ათ-ზე მეტი კაცი. უმწერლობო ენაა, სამწერლობიდ იყენებენ ახლომონათესავე ხუნძურს. აქვს 2 დიალექტი: საკუთრივ ტინდიური და აქნადურ-ანღიდური. მათ შორის სხვაობა ძირითადად ფონეტ. ხასიათისაა. ტ ე. ახლოს დგას ჭამალურ და, განსაკუთრებით, ბაგვალურ ენებთან. ტ. ე-ის ფონეტ. სისტემაში 5 მარტივი ხმოვნის ყარდა არის გრძელი და ნაზალიზებული ხმოვნები. მისთვის დამახასიათებელია თანხმოვანთა შედარებით მარტივი სისტემა, გავრცელებულია ხმოვანთა და ანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია, ხშულთა პალატალიზაცია არალაბიალურ ხმოვანთა წინ. ძლიერი მკვეთრი აფრიკატები გადავიდნენ შესაბამის ფშვინვიერებში, გარა სუსტი აფრიკატების რიგი. მხ. რიცხვში გარჩეულია 3 გრამატ. კლასი, მრავლობითში—2. აქვს 5 ძირითადი ბრუნვა (სახ., ერგატიული, ნათ., მიც., აფექტივი) და ლოკატიურ ბრუნვათა 7 სერია (თითოეულ სერიაში 2 ბრუნვაა: ადგილობითი და დაშორებითი). ბრუნვათა ფლექსია ორიენტირებაში ერთნაირია. მრ. რ. რსებით სახელებში გადმოცემულია სპეც. სუფიქსებით, მეტყველების სხვა ნაწილებში — გრამატ. კლასის ნიშნებით. თქმის სისტემა ათობითია; რიცხვითი სახელები იბრუნვის ზედსართავი სახელების მსგავსად. პირის ნაცვალსახელებს აქვს ინკლუზივისა და ექსკლუზივის სისტემა.

ზმნა იცვლება გრამატ. კლასების, დროისა და კილოს მიხედვით პირის მიხედვით არ იცვლება. არსებობს ინფინიტივის, მასდარის, კაუზატივის ფორმები, ბრძანებითი, პირობითი კილოები, აბსოლუტივი, მიმღეობა. ყველა დროსა და კილოს აქვს კითხვითი და უარყოფითი ფორმები. დამახასიათებელია აღწერითი ფორმები. სიტყვაწარმოება სუფთადაა განვითარებული. გავრცელებულია რედუპლიკაცია.

ლიტ.: გუდავა ტ., ქართველური კლასის ისტორიისათვის ტინდიურში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1954, ტ. 6; მისივე, ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა, იქვე, 1953, ტ. 5; მისივე, Тиндинский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Дирр А., Материалы для изучения языков и наречий индо-дидойской группы, Тфл., 1909.

ზ. ბაჰმედბეკოვა.

…ინიანოვი იური ნიკოლოზის ძე [6 16). X. 1894, ქ. რეჟიცა, ახლანდ. . რეზეკნე, ლატვ. სსრ, — 20. XII. 1943, ოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი, ლიტე-ატურათმცოდნე. პირველი წიგნი „დოს-ოევსკი დდა გოგოლი (პაროდიის თეო-იისათვის)“ 1921 გამოაქვეყნა. ეკუთვ-ის წიგნები „პოეტური ენის პრობლემა“ 1924), „...არქაისტები და ნოვატორები“ 1929). *ოპოიაზის* წევრი იყო. ტ. საბჭ. სტ. რომანისტიკის კლასიკოსია. მისი ომანები „კიუხლია“ (1925), „ვაზირ-უხთარის სიკვდილი“ (1927—28), „პუშ-ინი“ (დაუმთავრებელია, ნაწ. 1 — 3, 935—43) მიეძღვნა ვ. კიუხელბეკერს, . გრიბოედოვსა და ა. პუშკინს. ტ-ის ბზულებები თარგმნილია მსოფლიოს რავალ ენაზე, მ. შ. ქართულადაც.

…ინისხიდი, სოფელი გორის რ-ნში, იდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარცხ. ა მდ. ლიიახვის მარჯვ. მხარეს, გორ—ქა-ელის სააავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრ-ი (სოფლებში: ტ., თედოწმინდა, ოთარ-ენი). ზ. დ. 620 *მ*, გორიდან 1 *კმ*. მე-ბოველეობის გაერთიანება, სამ. სკოლა, -კა, ამბულატორია.

…ინოვროროსო, მთა კახეთის კავკასიო-ის მთავაარ ქედზე, მდ. მაწიმისწყლის ათავეში. სიმაღლე 3367 *მ*. აგებულია ქედა და შუაიურული თიხაფიქლებით. თის ზედა ნაწილი კლდოვანია, ქვემოთ ლპ. და ს სუბალპ. მდელოებია, მთისძირი—წიფლის ტყეები. *გ. კურდღელაძე.*

…ინტილეოზოვი ზურაბ კონსტანტინეს) (დ. 24.I. IX. 1926, ქ. საჩხერე), ქართ-ული საბჭჭ. გეოგრაფი, გეოგრ. მეცნ. დო-ტორი (1973), პროფესორი (1979). სკკპ ევრი 1953-იდან. 1951 დაამთავრა თსუ-ს გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1954—57 მუ-აობდა გეორის . ბარათაშვილის სახ. ედ. ინ-ტში, 19 7-იდან — ვაზუშტის სახ. ეოგრ. ინ-ტში (1975-იდან კარსტოლო-ია-სპელეოლოგიის ლაბორ. ხელმძღვა-ელი), 1981-იდან არის აგრეთვე თსუ-ს გეომორფოლოგიის კათედრის გამგე. ისი ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ეომორფოლოგიის, კარსტთმცოდნეობის ა სპელეოლოგიის პრობლემებს. აზალი თონის კ კარსტული მღვიმის აღმოჩენის ესწავლისსა და კეთილმოწყობისათვის ეცნიერთაა და მშენებელთა ჯგუფთან რთად მიძიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია 1977).

თხზ.: К карстовые пещеры Грузии, Тб., 976: Новоиолафонская пещерная система, б., 1983;3; Формирование карстовых пе-ер в Западной Грузии, «Геоморфология», 973, № 3 3.

…ინტორეტტო (Tintoretto; ნამდვ. გვა-ი რობუსტი, Robusti) იაკობო 29. IX. . 1518, ვენეცია, — 31. V. 1594, ქვე), იტალიელი ფერმწერი. *ვენეციის კოლის* წ წარმომადგენელი. ტ. XVI ს. ნახ. ტრანსფორმაციას ემყარებოდა. ადრინ-ელ, 1540-იანი წწ., ნამუშევრებში („აპო-ონი და ა მარსია“, 1540, დევენპორტი; საიდუმლო სერობა“, 1547, ვენეცია, სან-არკუოლა) ა) ჩანს ტიციანის, ვერონეზეს, ორდონეს ეს “ზეგავლენა. ტიციანის ადრინდ-ილოებისათვის დამახასიათებელი მო-ქროსფერო კოლორიტით არის შესრულე-ული ტ-ს „წმ. მარკოზის სასწაული“ 1548, ვენეცია, აკადემია), რ-მაც წარ-ოაჩინა ტ-ს მიდრეკილება ხაზგასმუ-ად მკვეთრი მოძრაობისაკენ, თუმცა ომპოზიციისა ჯერაც წინა სიბრტყის პა-ალელურადაა ვითარდება. 1550-იანი წწ. ომპოზიციებში გამოსჭვივის მიქელანჯელოს, ე მანერისტებისა და პარმიჯანი-ოს ხელოვნ. ზემოქმედება: დაგრძელდა იგურათა ია პროპორციები, უფრო რთული ახდა მათი მოძრაობა („კაენი და აბელი“, ენეცია, ა, აკადემია). ამ დროის სურათებ-ი თვალსაჩინოა მოქმედების სივრცეში აშლისაკენ ენ მისწრაფებაც: „წმ. გიორგი თავისუფლებს ებს მეფის ასულს“ (1555—0 წწ., ლ ლონდონი, ეროვნ. გალერეა) და ცნობილი „მარიამის ტაძრად მიყვანა“ (1555, ვენეცია, სანტა-მარია დელ ორ-ტოს ეკლესია). ტ-ს ეს ძიებანი გაღრმავ-და მომდევნო წლებში: — კომპოზიცია შე-იჭრა სიღრმეში, ხშირად დიაგონალუ-რად; ფიგურების აქებულება, მათი ურ-თიერთდაკავშირება, ხედვის წერტილის შერჩევა ადრინდელისაგან განსხვავებუ-ლია; სიმუქე მოჭარბებული, მოციმ-ციმე ფერადოვანი გამა, უწეულო განა-თება. უაღრესად დინამიკურ, მძაფრად დრამატულ, ხანაც ზღაპრულ-ფანტასტი-კურ შთაბეჭდილებას ტოვებს: „წმ. მარ-კოზის ცხედრის მოპოვება“ (1560—65, მილანი, ბრერა). 1565—88 ტ. ხატაეს ძვე-ლი და ახალი აღთქმისა და წმინდანთა ცხოვრების სცენებს ვენეციის სკუოლა დი სან-როკოსათვის, ალეგორიულ გამოსა-ხულებებს ვენეციის დოჟების სასახლის შესამკობად, ისტ. კომპოზიციებს („ბრძო-ლა ლენიანოსთან“, 1588, მიუნხენი, ძვ. პინაკოთეკა). სახელგანთქმულ „სამო-თხეს“ (1588, ვენეცია, დოჟების სასახ-ლე). ტ-ს უკანასკნელი ტილო „საიდუმ-ლო სერობა“ (1592—94, ვენეცია, სან ჯორჯო მაჯორე) მისი შემოქმედების მწვერვალად ითვლება. ტ. ავტორია მრა-ვალი პორტრეტისა, რ-თა შორის გამო-ირჩევა ავტოპორტრეტი (დაახლ. 1590, ლუვრი, პარიზი). ტ-ს შემოქმედება გვი-ანდ. აღორძინების ხელოვნ. ეპილოგია.

ლიტ.: Виппер Б. Р., Тинторетто, М., 1948; Newton E., Tintoretto, [1952]; Tietze H., Tintoretto, L., 1948. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I, გვ. 528. II—593.

…ითოკაა [ნამდვ. სახელი და გვარია პაშკევიჩი ელოიზა (ალოიზა) სტეფანეს ასული)] [3(15). VII. 1876, სოფ. პეშჩინა, ახლანდ. გროდნოს ოლქი, — 5(18). II. 1916, სოფ. ნოვი-დვორი, ახლანდ. გროდნოს ოლქი], ბელორუსი პოეტი. დეენიდ-ნენ რევ. მოღვაწეობისათვის. 1906 გამო-სცა პირველი პოეტური წიგნები „ნათლო-ბა თავისუფლებისათვის“ და „ბელორუსუ-ლი ვიოლინო“. ტ-ს ეკუთვნის რამდენიმე ლირ. კრებული, მოთხრობები და ფსიქოლ. ნოველები. მისი ღრმად ხალხ. ლირიკა რევ. სულისკვეთებითაა გამსჭვალული.


…ტიპების თეორია ლოგიკაში, *პრედიკატთა ლოგიკის* აგების მეთოდი, რ-იც ემყარება ლოგიკური ფუნქციების ანუ ატრიბუტების (საგანთა თვისებე-ბისა და მათ შორის მიმართებების) გარ-კვეული იერარქიის შემოღებას. მისი მი-ზანია ლოგიკური *ანტინომიების* თავი-დან აცილება ლოგიკაში. ტ. თ. შეიმუშა-ვა ბ. *რასელმა*. იგი სრული სახით გადმო-ცემულია ბ. რასელისა და ა. უაიტჰედის სამტომიან თხზულებაში „მათემატიკის პრინციპები“ (კემბრიჯი, 1910—1913). ობიექტები, რ-თაც აქვთ თვისებები და მიმართებები, მაგრამ თვითონ არ შეიძ-ლება გამოდგნენ რაიმეს დასახასიათებ-ლად, არიან ინდივიდ. საგნები. თვისე-ბებსა და მიმართებებს, რ-ებითაც შეიძ-ლება დახასიათება ინდივიდ. საგნებისგ, უწოდებენ პირველი საფეხურის ატრიბუ-ტებს, ხოლო იმ თვისებებსა და მიმართე-ბებს, რ-ებითაც შეიძლება დახასიათდეს პირველი საფეხურის ატრიბუტები ან ინ-დივიდ. საგნები და პირველი საფეხურის ატრიბუტები, — მეორე საფეხურის ატრი-ბუტებს და ა. შ. ატრიბუტის ტიპი განი-საზღვრება მისი საფეხურითა და მისი არგუ-მენტების ტიპებით. ატრიბუტთა ეს იერარ-ქია განაპირობებს პრედიკატთა ლოგიკის სხვადასხვა დონესაც: არსებობს პირველი, მეორე,... ომეგა (ω) საფეხურის პრედი-კატთა ლოგიკა.

ლიტ.: Гильберт Д., Аккерман В., Основы теоретической логики, пер. с нем., М., 1947; Carnap R., Abriß der Logistik, W., 1929.

ლ. მჭედლიშვილი.

…ტიპი (ბერძნ. — typos — ანაბეჭდი, ფორმა, ნიმუში), 1. რისამე არსებითი, თვისებრივი ნიშნების მქონე ნიმუში; 2. შესასწავლი რეალობის დანაწევრების ერთეული ტიპოლოგიაში; 3. ტაქსონომეტრიული კატეგორია ან ერთეული იმ მეცნიერებაში, რ-იც სწავლობს ბუნებრივ გარემოს (მაგ., რელიეფის ტ., ჰავის ტ., მცენარეული საფრის ტ., ლანდშაფტის ტ.); 4. ადამიანთა რომელიმე ჯგუფის (ერის, კლასის, წოდების, ეპოქის) დამახასიათებელი თვისებების მქონე პირი. 5. ხელოვნებაში — განზოგადებული სახე, იხ. *ტიპი ლიტერატურაში*. 6. ბიოლოგიაში, იხ. *ტიპი ბიოლოგიაში*.

…ტიპი ბიოლოგიაში (typus), 1. უმაღლესი ტაქსონომიური კატეგორია ცხოველთა სისტემატიკაში, რ-იც ნათესაურ კლასებს აერთიანებს. ტერმ. „ტ.“ 1825 შემოიღო ა. ბლენვილმა, როცა ჟ. *კიუვიეს* მიერ 1812 გამოყოფილ ცხოველთა 4 „შტოს“ ტ-ები უწოდა. სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით, ცხოველთა სამყარო 10-იდან 33-მდე ტ-ად იყოფა. ერთი ტ-ის ყველა ორგანიზმი აგებულების ერთიანი გეგმით ხასიათდება. ტ-ების მოცულობა სხვადასხვანაირია. მაგ., ღრუბლების ტ. აერთიანებს 5000-მდე, პოგონოფორებისა—მხოლოდ 100-მდე სახეობას. ტ-ებს ხშირად ქვეტიპებად ყოფენ. 2. მცენარეთა სისტემატიკაში ტ-ის შესატყვისი ტაქსონომიური კატეგორიაა განყოფილება.



ტინამუსნაირნი. ტინამუ (Rhynchotus rufescens).

…ტიპი ლიტერატურაში, ტიპური ხასიათი, რ-იც გამოხატავს ზოგადს ინდივიდუალური სახემოსილებით. ზოგადში იგულისხმება საზ. ცხოვრების ტენდენციების არსი. ლიტ-რა თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩასწვდა ამ ზოგადს და განასახოვნა ადამიანთა ვნებებისა და ბედის წარმმართველ ფაქტორად ადამიანური ურთიერთობების სახით. ეს ეტაპია კრიტ. რეალიზმი, რ-იც XIX ს. I ნახევარში საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემოქმედებით მეთოდად და საზ. ცხოვრების განვითარების მამოძრავებელი ძალები გაანალიზა. პირველად რეალიზმი განიხილავს ცხოვრებას როგორც ისტ. პროცესს, ხოლო ადამიანთა ვნებებს, მისწრაფებებს, მორალს — როგორც ამ პროცესის შედეგს. ეს პროცესია ბურჟ. წარმოებითი ურთიერთობა. ბალზაკმა თავისი „ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაობაში მიუთითა, რომ მწერალმა უნდა მოძებნოს ადამიანთა ვნებების წარმომშობი ფაქტორი, თავად ამ ფაქტორს მან „სოციალური ძრავა“ უწოდა. წინა ეპოქებში ლიტ-რა იდეალისეულ ხასიათს ხატავდა, რეალიზმმა კი ცხოვრებისეული ხასიათები შექმნა (სტენდალი, ო. ბალზაკი, ჩ. დიკენსი, უ. თეკერეი, ნ. გოგოლი, ა. ჩეხოვი, ი. ჭავჭავაძე, დ. კლდიაშვილი...).



ი. ტინიანოვი.

ქართ. ლიტ-რაში ტ-ის კლასიკური ნიმუშია ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟი ლუარსაბ თათქარიძე, რ-იც მწერალმა დახატა როგორც მრავლის მსგავსი ნიმუში, როგორც გარკვეული სოც. წრის ადამიანთა გამოხატულება.

სოციალ. რეალიზმის ლიტერატურაში ახ. ადამიანის ტ. პირველად დახატა მ. გორკიმ მოთხრობაში „დედა“. ამით სათავე დაედო ლიტ. ტ-ს, რ-იც სოც. ურთიერთობის განვითარების კვალობაზე სხვადასხვა ინდივიდუალიზებული სახით გვევლინება საბჭ. მწერლობაში. ესაა ტ. ადამიანისა, რ-იც იბრძვის კომუნისტური იდეალების დამკვიდრებისათვის. რადგან ზოგადი მხოლოდ კერძოს სახით ვლინდება, ამიტომ ლიტ. ტ. ერთსა და იმავე დროს ზოგადიცაა და მკვეთრად ინდივიდუალიზებულიც, ცოცხალი ადამიანური ხასიათიც.

ლიტ.: ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1978. *გ. შაუტაშვილი.*

…ტიპია (<ბერძნ. typos — ანაბეჭდი, იხ. *ტიპი*), რთული სიტყვის ნაწილი; რ-იც აღნიშნავს კავშირს ბეჭდვასთან, პოლიგრაფიასთან. მაგ., ფოტოტიპია.

ტიპიზაცია ტექნიკაში, მანქანათა კონსტრუქციების, მოწყობილობების, ხელსაწყოების, შენობა-ნაგებობების, ტექნოლოგიური პროცესებისა და მისთ. არჩეული ტიპების დასაბუთებულად დაყვანა მცირე რაოდენობაზე. მანქანათმშენებლობაში მანქანათა კონსტრუქციების ტ. საშუალებას იძლევა განსაზღვრული დანიშნულების გამოსაშვები ან ექსპლუატაციაში მყოფი მრავალი მანქანიდან გადაირჩეს ყველაზე კარგი საექსპლუატაციო მაჩვენებლების მქონე ნიმუშები. ერთი დანიშნულების მანქანების ტიპების რაოდენობის შემცირება წარმოადგენს საფუძველს საწარმოთა სპეციალიზაციისა და ნაკადურ-მასობრივი და სერიული წარმოების ორგანიზაციისათვის. მშენებლობაში ტ. ხასიათდება გარკვეული ტიპის შენობა-ნაგებობათა (მაგ., სექციებისაგან შემდგარი საცხოვრ. და სამრეწვ. შენობები, ტიპობრივი სკოლები, საავადმყოფოები და ა. შ.) დაპროექტებითა და აგებით. ასეთ შენობა-ნაგებობათა პროექტებს ტიპობრივს უწოდებენ. მათში გათვალისწინებულია ტიპური კონსტრუქციებისა და სტანდ. დეტალების გამოყენება. ტ. ხორციელდება ე. წ. მოდულური სისტემისა და შენობა-ნაგებობათა ელემენტების უნიფიკაციის საფუძველზე. ტექნოლოგიური პროცესების ტ-ის დანიშნულებაა მხოლოდ ყველაზე მწარმოებლური და რენტაბელური პროცესების ამორჩევა მათი დანერგვის მიზნით. ტ. ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მატერ. რესურსების ეკონომიას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ა. შ.

ტიპიკონი (ბერძნ. typikon), ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი. ცნობილია ორი სახის წესი ანუ ტიპოსი — სამრევლო და სამონასტრო. საქართველოში მოქმედებდა ორნაირი სამრევლო წესი: იერუსალიმის ანუ ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიოს ტაძრის ანუ დიდი ეკლესიისა. სამონასტრო წესებიდან აღსანიშნავია სამი: საბაწმიდისა (პალესტინაში), სტუდიტეს მონასტრისა (კონსტანტინოპოლში), ათანასე დიდის ლავრისა (ათონის მთაზე). ტ. მღვდელმსახურთა სახელმძღვანელოა, რ-იც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და მითითებებს უბრავ და მოძრავ დღესასწაულთა განგებების შეთანხმების შესახებ. ამას ემატება დისციპლინური წესები მონაზონთათვის და ა. შ. ტ-ს ბოლოში დართული აქვს პასქალური ცხრილები.

საქართვ. ეკლესია X ს-მდე უმთავრესად პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული და ღვთისმსახურებაშიც პალესტინურ ტ-ს (იერუსალიმის განჩინება ანუ კანონი) იყენებდა. ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრების შემდეგ ქართველებმა თარგმნეს ტ-ის კონსტანტინოპოლური რედაქცია (იხ. *სვინაქსარი*). XII ს. I მეოთხედში დავით აღმაშენებელთან დაახლოებულ ბერებს არსენსა და იოანეს შიომღვიმის ლავრაში სიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრიდან (ანტიოქიის მახლობლად) გადმოუღიათ ტ-ის საბაწმიდური რედაქცია, რ-შიც შევიდა ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკის ელემენტებიც. XVIII ს-ში ანტონ I კათალიკოსმა ქართ. ტ. შეასწორა სლავურის მიხედვით.

საეკლ. პრაქტიკაში ცნობილია ე. წ. ქტიტორული ტ-ები, რ-თაც ქტიტორები განუწესებდნენ მათ მიერ აშენებულ მონასტრებს. წყაროებში დასახელებულია *ილარიონ ქართველის, გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე მთაწმიდლის, გრიგოლ ბაკურიანის ძის* და სხვ. ქტიტორული ტ-ები.

მ. დოლაქიძე.

„ტიპიტაკა“, „ტრიპიტაკა“ [პალის ენაზე — Tipitaka, სანსკრ. — Tripitaka — „სამი კალათა (კანონთა)“], ბუდისტური რელიგიურ-ფილოსოფიური კანონიკური ტექსტების კრებული პალის ენაზე — ბუდისტური კანონი. შეიცავს სხვადასხვა ეპოქისა და ავტორის თხზულებებს. შედგება 3 ნაწილისაგან. მის II ნაწილში, სუტა-პიტაკაში, პროზაული დიალოგების, ლექსთა ფრაგმენტების, ლეგენდებისა და აფორიზმების საშუალებით გადმოცემულია ბუდიზმის დოქტრინა; თავის მხრივ, იგი შედგება სუტრათა 5 კრებულისაგან, რ-ის მე-5 ნაწილი („მოკლე დარიგებების წიგნი“) მოიცავს ბუდისტური პოეზიისა და პროზის შედევრებს.

კანონი ნაწილობრივ შედგენილია ძვ. წ. V ს-ში I ბუდისტურ კრებაზე რაჯგრიჰში. საბოლოო რედაქცია მიიღო III კრებაზე პატალიპუტრაში — ძვ. წ. III ს-ში, აშოკას მეფობის დროს. ჩაწერილია ძვ. წ. 80 პალის ენაზე (კ. ცეილონი). ტ-ს სანსკრიტული ვარიანტი გაჩნდა მხოლოდ ახ. წ. I ს-ში.

ტიპობრივი დაგეგმარება, ისეთი ტიპობრივი (ერთი ტიპის) შენობა-ნაგებობების, კონსტრუქციების, დეტალებისა და სხვა ნაკეთობათა პროექტების დამუშავება, რ-ებიც გამიზნულია მასობრივი მშენებლობისათვის ან სერიული წარმოებისათვის. იხ. აგრეთვე *დაპროექტება, ტიპიზაცია.*

ტიპოლოგია ენათმეცნიერებაში, ენათმეცნიერული კვლევის სფერო, რ-იც მიზნად ისახავს დაადგინოს მსგავსებები და განსხვავებები ენათა სტრუქტურასა და სემანტიკაში. უდარებს ერთმანეთს მსოფლიოს სხვადასხვა ენას მათი წარმოშობის გაუთვალისწინებლად და ახდენს მათ ტიპოლ. კლასიფიკაციას, რ-იც ემყარება ამა თუ იმ სტრუქტურულ ან სემანტიკურ ნიშანს ან ურთიერთგანპირობებულ ნიშანთა ერთობლიობას. ტიპოლ. კლასიფიკაციებია ენათა მორფოლ. კლასიფიკაცია, ენათა კლასიფიკაცია წინადადების ტიპების მიხედვით, ე. სეპირის კონცეფციური კლასიფიკაცია და სხვ.

ტ-ის თეორ. ამოცანებში შედის ენათა კვლევის მეთოდების დამუშავება, ტიპოლ. კლასიფიკაციების პრინციპთა დადგენა, ენებს შორის მსგავსებათა და განსხვავებათა ახსნა.

ტიპოლ. კვლევა უდევს საფუძვლად ა გ რ ე თ ე ე. წ. ენობრივი უნივერსალიების ანუ ენათა სტრუქტურასა და სემანტიკაში საერთო, ზოგადი კანონების ძიებას.

თ. შარაძენიძე.

ტიპოლოგიური მეთოდი არქეოლოგიაში, არქეოლოგიური ძეგლების სისტემატიზაციისა და ქრონოლოგიზაციის მეთოდი. ევროპაში იყენებენ XIX ს. II ნახევრიდან (ო. მონტელიუსი). ტ. მ. ემყარება ძვ. ნივთების (შრომისა და ბრძოლის იარაღი, სამკაული, ჭურჭელი და ა. შ.) კლასიფიკაციას მასალის, დამუშავების ტექ., ფორმისა და ორნამენტის მიხედვით. ერთი ტიპის, ე. ი. ერთი და იმავე დანიშნულების, გარეგნულად მსგავს მაგრამ დეტალებით განსხვავებულ ნივთებს ათავსებენ ტიპოლოგიურ ევოლ. რიგებად, რ-თა შედარება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ნივთების ჯგუფები. ტიპოლოგიურ რიგებად დალაგება გამოიყენება ნაგებობების, სამაროვნების და სხვ. არქეოლ. ობიექტების მიმართაც.

ტიპომეტრია (ბერძნ. typos — ანაბეჭდი, ფორმა და ... *მეტრია*), საამწყობო ფორმის ელემენტების (შრიფტი, სახარავეზო მასალა და სხვ.) სასტამბო გაზომვის სისტემა. ტ-ის საფუძველია სასტამბო პუნქტი, რ-იც 1/72 დუიმის ტოლია. უფრო მსხვილ ელემენტებს ზომავენ სასტამბო კვადრატით, რ-იც 48 პუნქტს შეიცავს. სსრკ-სა და ევრ. უმრავლეს ქვეყანაში ტ-ის საფუძვლად მიღებულია ფრანგ. დუიმი (27,1 *მმ*), აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში — ინგლ. დუიმი (25,4 *მმ*). ტ-ის ერთეულების თანაფარდობა მეტრულ ერთეულებთან ასეთია: 1 პუნქტი=0,376 *მმ*, 1 კვადრატი=18,041 *მმ*.

ტიპომორფიზმი (გეოლ.), მინერალთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებების განპირობებულობა გენეზისით. ტიპომორფულ თვისებებს განეკუთვნება მინერალთა მორფოლოგიური თავისებურებები, ქიმ. შედგენილობის ცვალებადობა, ზოგიერთი ფიზ. თვისება და სტრუქტურული თავისებურებები. ტიპომორფული თვისებების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ მინერალთა წარმოქმნის პირობები (წნევა, ტემპ-რა) და მინერალთწარმომქმნელი გარემოს ქიმ. ბუნება (ტუტიანობა — მჟავიანობა, აირების პარციალური წნევა, ხსნარებისა და მდნარების შედგენილობა და სხვ.).

ტიპოსუსტი, ბეჭდვის ხერხი, რ-ის დროს ბეჭდვა ხდება მაღალი ბეჭდვის რელიეფური ფორმებიდან ელასტიკური (ოფსეტური ცილინდრი) ზედაპირის გამოყენებით. ტ-ით ბეჭდვა ხორციელდება ფორმის დანამვის გარეშე სხვადასხვა სიგლუვის მასალაზე და ნაკლები წნევით (მაღალ ბეჭდვასთან შედარებით), რაც ზრდის საბეჭდი ფორმების ტირაჟმდგრადობას.

ტიპურა, ტიპერა, ხალხი აღმ. ინდოეთში (ტრიპურის შტ.). რაოდ. დაახლ. 420 ათ. კაცი (1978, შეფასება). ტ-ს ენა განეკუთვნება ტიბეტურ-ბირმულ ენათა ჯგუფს. ანთროპოლოგიურად სამხრ. მონღოლოიდების წარმომადგენლები არიან. რელიგია — ინდუიზმი. ძირითადი საქმიანობა — მიწათმოქმედება, დამხმარე როლს თამაშობს მესაქონლეობა და ხელოსნობა.

ტიპური (<ბერძნ. typos — ნიმუში), ნორმალური, სანიმუშო, ობიექტური სამყაროს მოცემული სისტემისათვის ყველაზე მოსალოდნელი. ესთეტიკაში ტ-ის ცნება უპირატესად XIX ს. ლიტ. თეორიებში ვითარდებოდა (ბ. ბელინსკი, ი. ტენი, გ. ბრანდესი და სხვ.). იხ. აგრეთვე სტ. *ესთეტიკური კატეგორიები.*

ტირა, ტირასი (Tyras), ანტიკური ქალაქი. დააარსეს მილეტიდან გადმოსახლებულებმა მდ. დნესტრის დას. ნაპირას ძვ. წ. VI ს-ში. ტ. ავტონ. მონათმფლობელური სახელმწიფო — პოლისი იყო. დახლ. ძვ. წ. 360 საკუთარი მონეტების ემისია დაიწყო. იმპ. ავგუსტუსის დროს დაემორჩილა რომს, მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტი იყო იმპერიის ჩრდ. საზღვრებთან. ტ. ვაჭრობდა შავიზღვისპირეთის მრავალ ქალაქთან. გვიანდ. ანტ. და ადრინდ. შუა საუკ. პერიოდში ტ-ში დასახლდნენ მეზობელი ტომები, მ. შ. სლავები, რ-ებმაც ტ-ს დაარქვეს ბელგოროდი (1484-იდან — აკერმანი, 1944-იდან — ბელგოროდ-დნესტროვსკი). არქეოლ. ძიებანი დაიწყო XX ს. დამდეგიდან.

ტირადენტისი (Tiradentes; ნამდვ. სახელი და გვარი ჟოაკინ ჟოზე და სილვა შავიერი; Silva Xavier) (12. XI. 1748, პომბალი, — 21. IV. 1792, რიო-დე-ჟანეირო). რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი ბრაზილიაში XVIII ს. 80-იან წლებში. ტ. დაიბადა ღარიბ ოჯახში, გამოიცვალა მრავალი პროფესია, ხშირ დანტისტიც, აქედან მიიღო ზედმეტი სახელი „ტირადენტისი“ (პორტუგ. tiradentes — კბილიგლეჯია). სამხ. სამსახურში შესვლისთანავე შევიდა საიდუმლო ორგანიზაციაში, რ-შიც გაერთიანებული იყო პროგრ. განწყობილი ინტელიგენცია და ოფიცრობა. ამ ორგანიზაციის პროგრამით გათვალისწინებული იყო ბრაზილიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება, წოდებებისა და პრივილეგიების გაუქმება, კანონის წინაშე ყველა

მოქალაქის თანასწორუფლებიანობა. 1789 მაისში ორგანიზაცია მოღალატემ გასცა. ტ. და სხვა შეთქმულნი დააპატიმრეს. ტ., როგორც შეთქმულების მეთაური, სიკვდილით დასაჯეს.

ტირანა (Tirana), ალბანეთის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია მთათაშუა ბეობაში, 89 *მ* სიმაღლეზე, კრუიადაიტის ქედის ძირას, ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან 40 *კმ*. ჰავა სუბტროპ., ხმელთაშუა ზღვისაა. ივლ. საშ. ტემპ-რა 24°C, იანვ. 4–5°C. ნალექები 1376 *მმ* წელიწადში. 200 ათ-ზე მეტი მცხ. (1982; 1923 წ.— 11 ათ., 1939 წ.— 40 ათ., 1960 წ.—136,3 ათ.).

ტ. რესპ. დაქვემდებარების ქალაქი და ტირანის ოლქის ადმ. ცენტრია. სახელმწ. ხელისუფლების ორგანოა ქალაქის სახ. საბჭო, რ-საც ირჩევს მოსახლეობა 3 წლის ვადით. სახ. საბჭოები თავის მხრივ ირჩევენ აღმასრ.-განმკარგულებელ ორგანოებს — აღმასრ. კომიტეტებს.

პირველად იხსენიება XV ს-ში. ქალაქი დაარსდა XVII ს. დამდეგს. ხელსაყრელმა გეოგრ. მდებარეობამ ხელი შეუწყო მის განვითარებას. 1920 იანვ. ალბანეთის ეროვნ. კონგრესის გადაწყვეტილებით ტ. ალბ. დედაქალაქად და მთავრობის რეზიდენციად გამოცხადდა. 20-იან წლებში ტ-ში დაარსდა პირველი პროფკავშირები. 1939 აპრ. — 1943 სექტ. ოკუპირებული იყო ფაშისტური იტალიის, 1943 სექტ. — ნაცისტური გერმანიის მიერ. იყო ალბ. ხალხის ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი. 1941 ნოემბ. ტ-ში დაარსდა ალბ. კომპარტია. 1944 წ. 17 ნოემბ. ტ. გაათავისუფლა ეროვნ. განმათ. არმიამ. 1946 წ. 11 იანვ. აქ გამოცხადდა ალბ. სახ. რესპუბლიკა.

ტ-ში თავმოყრილია ქვეყნის სამრეწვ. წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი. არის საფეიქრო, კვების (მ. შ. თამბაქოს), ფეხსაცმლის, ლითონდასამუშ., ხის დასამუშ., მინა-კერამ. მრეწვ. საწარმოები, სარეწაო კოოპერაციის სახელოსნოები, თეცი. 1951 ტ-ის მახლობლად, სსრკ-ის თანამშრომლობით, აშენდა ქვეყანაში პირველი ვ. ი. ლენინის სახ. ჰესი. ტ. რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურ დურესსა და ქ. მილოტის, საავტ. გზებით — ელბასანს, კრუიას, დურესს და ალბ. სხვა ქ-ებს. ტ-ის მახლობლად — აეროპორტი რინასი.

ქალაქის დაგეგმარება რადიალურ-წრიულია. ძვ. კვარტალებში შემორჩენილია ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები. ადმ. და კულტ. ცენტრი განაშენიანდა 1920—30-იან წლებში (სკანდერბეგის მოედნის ანსამბლი, ბანკი, უნ-ტი, ოპერისა და ბალეტის თეატრი). 1953—58 მიიღეს ტ-ის რეკონსტრუქციის გეგმა (არქიტ. გ. სტრაზიმირი, მ. მელე). შეიქმნა დიდი საცხოვრ. კომპლექსები, აიგო კინოსტუდია „ახალი ალბანეთი". ბეგლები: ვ. ი. ლენინის (ცემენტი, 1950-იანი წწ.; მოქანდაკე კ. ბოში), პარტიზანის (ბრინჯაო, 1947, ა. მანო) და სხვ.

ტ-ში არის ტირანის უნ-ტი, სას.-სამ., ნატიფი ხელოვნ., ფიზკულტ. ინ-ტები, კონსერვატორია, უმაღლესი სამსახიობო სასწავლებელი; ალბ. მეცნ. აკად., სხვადასხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტები; ეროვნ. ბ-კა, არქეოლ. და ეთნოგრ., ეროვნ. ბრძოლის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მუზეუმები; ოპერისა და ბალეტის თეატრი (საბალეტო სკოლით), სახ. თეატრი, ესტრადისა და ცირკის, თოჯინების თეატრები, ფილარმონია, კინოსტუდია და სხვ.

ტირანი (ბერძნ. tyrannos), 1. ძვ. საბერძნეთსა და XIII—XVI სს. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში პირი, რ-მაც ძალმომრეობით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება (იხ. *ტირანია*); 2. მკაცრი, სასტიკი მმართველი, რ-იც მოქმედებს თვითნებურად და ძალადობით; დესპოტი; 3. გადატანითი მნიშვნელობით, მკაცრი ადამიანი, მჩაგვრელი, მტანჯველი.

ტირანია (ბერძნ. tyrannis), ძვ. საბერძნეთში სახელმწიფო ხელისუფლების ფორმა, რ-იც ძალმომრეობით იყო დაწესებული და ერთპიროვნულ მმართველობას ემყარებოდა. ცნობილია ტ-ის რამდენიმე ისტორიული ტიპი: ა დ რ ი ნ დ ე ლ ი ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ტ., რ-იც დამყარდა პოლისების ჩამოყალიბების ხანაში (ძვ. წ. VII—VI სს.), გვაროვნ. დიდკაცობასა და ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა ზედაფენის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებულ დემოსს შორის მწვავე ბრძოლის პროცესში. შეიარაღებულ ძალაზე დაყრდნობით გახელმწიფებული ტირანები, რ-თაც მხარს უჭერდა დემოსი, მნიშვნელოვან გარდაქმნებს ახორციელებდნენ ხელოსნების, გლეხების, მოსახლეობის ულარიბესი ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხელს უწყობდნენ ხელოსნობის, ვაჭრობის განვითარებას და ა. შ. ტ. არ იყო მყარი რეჟიმი და ძვ. წ. V ს. შუა წლებში იგი პოლისურმა რესპუბლიკამ შეცვალა; პ რ ო ს პ ა რ ს უ ლ ი ტ., რ-იც არსებობდა იმ ხანაში, როცა სპარსელებმა მცირე აზიის ბერძნ. ქ-ები და კ-ები დაიპყრეს (ძვ. წ. VI ს.). ბერძნებს ტირანებად სპარსელთა მიერ დანიშნული ნაცვლები მიაჩნდათ; გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ტ., რ-იც წარმოიშვა ძვ. წ. V ს. დასასრ. დემოსის გალატაკებულ ფენებთან პოლისის შებღებული და დიდგვაროვანი ზედაფენის მწვავე ბრძოლის პირობებში, არსებობდა ძვ. წ. II ს-მდე. ასეთ ტ-ს დაქირავებული რაზმების წინამძღოლები ახორციელებდნენ. მან გამოიწვია პოლისური რესპუბლიკის ლიკვიდაცია.

საზოგადოდ ტ. დესპოტიზმზე დამყარებული მმართველობის სინონიმია.

ტირანისებრნი (Tyrannidae), ფრინველების ოჯახი *ბეღურასნაირთა* რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 7,6—40 *სმ* აღწევს. გაბრტყელებული ნისკარტის ფუძესთან ჯაგრები აქვთ, წვერზე — ზოგჯერ კაუჭი. ფრთები ან მოკლე და ფართოა, ან გრძელი და მახვილი. ფერად რუხი, მურა ან მომწვანო, იშვიათად თეთრი, ყვითელი ან წითელია. ოჯახში 365 სახეობაა. გავრცელებულია ამერიკაში (უკიდურესი ჩრდილოეთის გარდა), ვალაპაგოსისა და ფოლკლენდის კ-ებზე. იკვებებიან მწერებით, კენკრით, ზოგი—პატარ-პატარა ხერხემლიანებით.

ტირანის უნივერსიტეტი, ალბანეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნ.-კვლ. ცენტრი. დაარსდა 1957. მის შემადგენლობაში იყო (1980) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ტექნოლ., სამედ., ისტ. და ფილოს., პოლიტ. და იურიდ. მეცნ., ეკონ., გეოლ. ფაკ-ტები; ლინგვისტიკის, ისტ., ხელოვნ. და ფოლკლორის, ბირთვული ფიზ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, გამოთულითი ცენტრი და სხვ. ბ-კა (400 ათ. დაცვითი ერთეული). სწავლობდა 16 ათ-მდე სტუდენტი, მუშაობდა დაახლ. 900 პროფესორ-მასწავლებელი.

ტირანოზავრი (Tyrannosaurus), გიგანტური მტაცებელი *დინოზავრი*. ტ-ის სიგრძე 15 *მ* და მეტიც იყო. სიმაღლე (უკანა ფეხებზე დგომისას) 6 *მ* აჭარბებდა. ქალას სიგრძე 1,5 *მ* აღწევდა. მასიური, მძლავრი, ხანჭლისებრი კბილები ჰქონდა. ძლიერი უკანა კიდურები და კუდი სხეულის საფრდენს წარმოადგენდა, რედუცირებული წინა კიდურები კი დანამატის სახით იყო შემორჩენილი. ტ. ყველაზე დიდი და ერთ-ერთი უკანასკნელი დინოზავრია, რ-იც დედამიწაზე ცხოვრობდა. მისი ნაშთები ნაპოვნია ჩრდ. ამერ. ზედა ცარცული პერიოდის ნალექებში.

ტირაჟი (ფრანგ. tirage), ერთი და იმავე დასახელების ნაბეჭდი გამოცემის ცალთა რაოდენობა. სსრკ-სა და სოციალ. ქვეყნებში პერიოდული გამოცემების ტ-ს განსაზღვრავს გამომცემლობა ხელმომწერთა რაოდენობით; წიგნების, ბროშურებისა და ა. შ. ტ-ს ადგენს გამომცემლობა წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციებთან ერთად. განასხვავებენ მცირე (15 ათ.), საშ. (100 ათ-მდე) და მასობრივ (100 ათ-ზე მეტი) ტ-ს. გამოცემის ტ. მოქმედებს საავტორო ჰონორარის რაოდენობაზე. ყოველ გამოცემას მითითებული აქვს ტ. კაპიტალ. ქვეყნებში გამოცემებში ტ. არ აღინიშნება.

ტირასპოლი, ქალაქი მოლდ. სსრ-ში, მდ. დნესტრის მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური ოდესა — უნგენის ხაზზე. ნავმისადგომი. 154 ათ. მცხ. (1983). განვითარებულია კვების მრეწვ., არის მანქანათსაშ. და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები, პედ. ინ-ტი, კვების მრეწვ. ტექნიკუმი, ხილ-ბოსტნეულის საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი, სამედ. და სამუსიკო სასწავლებლები. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სრესი.


1792 საფუძველი ჩაუყარა ა. სუვოროვმა როგორც ციხესიმაგრეს, 1795 აქ გაშენებულ სოფელს ეწოდა ტ. (ბერძნ. Tyras — ტირასი, ახლანდ. დნესტრი, და polis—ქალაქი) და ქალაქად გამოაცხადეს. 1806-იდან ხერსონის გუბ. სამაზრო ქალაქი იყო. 1929—40 — მოლდ. ასსრ-ის დედაქალაქი. 1941 ივლ-იდან 1944 წ. 12 აპრ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

1924 — 40 განაშენიანდა მთავარი — 25 ოქტომბრის ქუჩა; აშენდა თეატრი (არქიტ. გ. გოტგელფი, რეკონსტრუირებულია 1963, არქიტ. ი. შმურუნი), პედ. ინ-ტის 2 შენობა (არქიტ. მ. პეტროვი, დ. კოვალენკო), საბჭოების სახლი (1953, არქიტ. ს. ვასილიევი), 1954 დამტკიცდა გენ. გეგმა (არქიტ. ვ. ალექსანდროვი, ი. შმურუნი). ტ. დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (1980).



ტირანისებრნი. Tyrannus tyrarannus.

ტირატრონი, თ ი რ ა ტ რ ო ნ ი [ბერძნ. thyra—კარი, შესასვლელი და *(ელექ)ტრონი*], მლვივარი განმუხტვის (ციკლათოდიანი) ან არათავისთავადი რკალური განმუხტვის (შესათბობკათოდიანი) *იონური ხელსაწყო*, რ-საც ანოდისა და კათოდის გარდა აქვს ერთი ან რამდენიმე მმართველი ელექტროდი (ბადე). ტ-ის ანთების შემდეგ მისი ბადე კარგავს ანოდური დენის მართვის უნარს, ამიტომ ტ-ში განმუხტვის ჩაქრობა (*ტასატრონისაგან* განსხვავებით) შესაძლებელია მხოლოდ ანოდური ძაბვის შემცირებით. ნახევრადგამტარიანი ელექტრონიკის განვითარებასთან დაკავშირებით ტ. თითქმის მთლიანად შეცვალა *ნახევრადგამტარიანმა ხელსაწყოებმა* (უმთავრესად *ტირისტორებმა*). იმპულსურ ტ-ს ფართოდ იყენებენ ელექტრული დენის მძლავრი იმპულსების ფორმირებისათვის (უმთავრესად როგორც მაკომუტირებელ ხელსაწყოს რადიოლოკაციური სადგურის გადამცემის მოდულატორებში). ტ-ს იყენებენ აგრეთვე ხერხისებური ძაბვის გენერატორებში (იხ. *გენერირება ელექტრული რხევებისა*) და სხვ.




ტირატრონი. აირსავსე ტირატრონი ტგ 1-2,5/4.

ლიტ.: Фогельсон Т. Б., Брусова Л. Н., Вагин Л. Н., Импульсные водородные тиратроны, М., 1974.


ტირგოვიშტე (Tîrgoviste), ქალაქი სამხრ. რუმინეთში, დიმბოვიცის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 75,6 ათ. მცხ. (1981). მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოება,




ტირანოზავრი.



ნახ. 1. ტირისტორის სქემატური გამოსახულება: ა—ანოდი; კ—კათოდი; მე—მმართველი ელექტროდი; p—n—p—n—ელექტრონულ-ხვრელური გადასასვლელი; $R_დ$— გარე წრედის წინაღობა; $U_კ$ პირდაპირი ძაბვა ტირისტორზე.



ნახ. 2. ტირისტორის (ვენტილ-გადამრთველის) ვოლტამპერული მახასიათებელი: OA უბანი შეესაბამება ტირისტორის დაბალი გამტარობის მდგომარეობას, ხოლო BC უბანი—მაღალი გამტარობის მდგომარეობას; $U_კ$ — პირდაპირი ძაბვა; $U_{გად}$—გადართვის ძაბვა; $U_ბ$—ნარჩენი ძაბვა; $I_{გად}$— გადართვის დენი; $I_{მაკ}$—მაკავებელი დენი.



ნახ. 3. ტირისტორების საერთო ხედი: ა—მანქვალისებური (ლითონის კორპუსში); ბ—ტაბლეტური (კერამიკულ კორპუსში); გ—მისაჭერი (ლითონკერამიკულ კორპუსში); დ—მანქვალისებური (ლითონკერამიკულ კორპუსში) მაცივებელთან ერთად.

მანქანათსაშ., ქიმ., ხის დასამუშ., კვების მრეწველობა.

ტირგოვიშტე, ქალაქი ბულგარეთში, ტირგოვიშტეს ოკრუგის ადმ. ცენტრი. 45 ათ. მცხ. (1979). სატრანსპ. კვანძი, კვების მრეწვ, მოწყობილობის, აკუმულატორების და სხვ. წარმოება. კვებისა და ხის დასამუშ. მრეწველობა.

ტირგოვიშტეს ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული ბულგარეთში, ბორცვიან ადგილას, ნაწილობრივ სტარა-პლანინის მთისწინეთში. ფართ. 2,7 ათ. $კმ^2$. მოსახლ. 176 ათ. კაცი (1978). ადმ. ც.-ქ. ტირგოვიშტე. ოკრუგის მეურნ. ინდუსტრ.-აგრ. ხასიათისაა. არის მანქანათსაშ., სას.-სამ. ნედლეულისა და ხე-ტყის გადასამუშ. მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. ოკრუგის ტერიტორიაზე გადის აირსადენი სსრკიდან. მთავარი სას.-სამ. კულტურებია: ხორბალი, სიმინდი, ქერი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, თამბაქო. აშენებენ უმთავრესად მსხვ. რქ. საქონელსა და ცხვარს.

ტირგუ-მურეში (Tîrgu Mureş), ქალაქი ცენტრ. რუმინეთში, მდ. მურეშის ნაპირზე. მურეშის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 134 ათ. მცხ. (1981). მანქანათსაშ., ელექტროტექ., ელექტრონული, ქიმ., კვების მრეწვ., ტყავის ხელთათმანების, ავეჯის, სამკერვალო ნაწარმის დამზადება.

ტირგუ-ჟიუ (Tîrgu Jiu), ქალაქი სამხრ.-დას. რუმინეთში, მდ. ჟიუს ნაპირზე. გორჟის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 73 ათ. მცხ. (1981). ხის დასამუშ., სამკერვალო, კვების მრეწვ., საშენ მასალათა (მ. შ. ცემენტის) წარმოება.

ტირე, იხ. *პუნქტუაცია.*

ტირელი (Tyrrell) ჯორჯ უოლტერ (30. V. 1883, უოტფორდი, დიდი ბრიტანეთი. — 20. VII. 1961, გლაზგო), ინგლისელი გეოლოგი, პეტროგრაფი. 1906-იდან ასწავლიდა გლაზგოს უნ-ტში. ხელმძღვანელობდა შოტ. სამეცნ. ექსპედიციებს შპიცბერგენსა (1919) და ისლანდიაში (1924). ტ-ის ძირითადი შრომები ეხება პეტროლოგიის, ვულკანოლოგიისა და მაგმური პროცესების ტექტონიკასთან კავშირის საკითხებს. იკვლევდა შოტ., დას. აფრიკის, აგრეთვე არქტიკისა და ანტარქტ. ზოგიერთი რ-ნის გეოლ. აგებულებას. პირველმა აღწერა შპიცბერგენის მყინვარები, გამოყო მყინვარის ახ. ტიპი—ბადისებრი მყინვარი.

ტირენის ზღვა (Mare Tirreno), ხმელთაშუა ზღვის ნაწილი აპენინის ნ.-კ-სა და კ-ებს სიცილიას, სარდინიასა და კორსიკას შორის. ხმელთაშუა ზღვის სხვა ნაწილებთან დაკავშირებულია კორსიკის, ბონიფაჩოს, ტუნისის, სარდინიისა და მესინის სრუტეებით. წარმოადგენს ტექტონ. ქვაბულს. სიღრმე ცენტრ. ნაწილში 3719 *მ*. ზაფხულში წყლის ზედაპირზე ტემპ-რა 22—24,5°C, ზამთარში 13,5—14,5°C. მარილიანობა 37,25 — 38,25°/₀₀. თევზჭერა. ნავსადგურებია: ნეაპოლი, პალერმო, კალიარი (იტალია), ბასტია (საფრ.).

ტირი [ფრანგ. tir<tirer — მოზიდვა, დაჭიმვა (ისრისა), აქედან — სროლა], სპორტული ნაგებობა სამიზნეებზე ხელის ცეცხლმსროლელი და პნევმატური კუთხვილი იარაღის სროლისთვის სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებსა და შეჯიბრებებზე. ტ-ს აქვს სასროლი გალერეა, საცეცხლე გამჭოლი ზონა (მისი სიგრძე შეესაბამება სროლის მანძილს), სამიზნეების მექანიზებული მოწყობილობანი, ტყვიის მიმღები, დამხმარე, სასამსახურო და სასწ. ოთახები, იარაღისა და ტყვიაწამლის საწყობები. ზომების მიხედვით ტ-ში შეიძლება სროლა 10—300 *მ*-მდე მანძილზე. ტ. შეიძლება იყოს დახურული, სანახევროდ დახურული და ღია (საველე).

ღია ტ-ის კომპლექსს შეადგენს სპორტ. სასროლი მოედანი, ხოლო ღია და დახურული ტ-ის კომპლექსს საგანგებოდ მოწყობილი ადმ. შენობებითა და სათავსებით — სასროლი სტადიონი დიდი შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად.

სხვ. დასვენების ადგილებში არსებობს პნევმატური და მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლისათვის განკუთვნილი ტ.-ატრაქციონები. *მ. კაკაბაძე.*

ტირიბაზე, სპარსეთის სამეფოს პროვინციის დას. არმენიის მმართველი (სატრაპი) ძვ. წ. IV ს. დასაწყისში. ტ-ის საგამგეო ოლქი მდებარეობდა აღმ. ევფრატის აუზში. *ქსენოფონტის* ცნობით, მის დაქირავებულ ჯარში იყვნენ *ხალიბები, ტაოხები* და ფასიანები. მცირე აზიის ოლქების მმართველთა ჩამოთვლაში, რ-იც „ანაბასისს" ერთვის (მაგრამ ქსენოფონტს არ ეკუთვნის), ტ. უკვე ჰესპერიტებისა და ფასიანების მმართველადაა დასახელებული. ამ ცნობის საფუძველზე მკვლევრები ასკვნიან, რომ ჰესპერიტები (სასპერები, იბერები) ფასიანებთან ერთად შედიოდნენ ტ-ის საგამგეო ადმ. ერთეულში — დას. არმენიაში, რ-იც სპარს. სამეფოს მე-18 სატრაპიას უნდა შეესაბამებოდეს.

ლიტ.: მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბასისი" (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. მ. ინაძე.

ტირინთი, ტირინთოსი (Tiryns), ძვ. ბერძნული ქალაქი არგოლიდის სამხრ.-აღმ. ნაწილში. დასახლებული იყო ნეოლითის ხანაში. აქაველთა სახელმწიფოს ცენტრი ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისში. განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. XVI—XIII სს-ში. ამ პერიოდს განეკუთვნება აკროპოლისში აგებული დიდი, მოხატული სამეფო სასახლე. დაახლ. 1400 ტ-ის აკროპოლისს შემოავლეს მძლავრი ქვის ზღუდე, ე. წ. ციკლოპური კედლები, რ-ებიც მოხსენიებულია ჰომეროსის „ილიადაში", მოგვიანებით აღწერა პაუსანიამ. კედლებს დატანებული ჰქონდა კოშკები, იარაღისა და სხვ. სათავსები; კედლის სისქე ზოგ ადგილას 10 *მ* აღწევდა. ციხესიმაგრე საიდუმლო გვირაბით მიწისქვეშა წყაროს უკავშირდებოდა. ტ-ის მეფეთა შორის უსაჩინოესი დიომედე (დაახლ. ძვ. წ. 1240) ყოფილა, რ-იც, ბერძნ. ტრადიციის თანახმად, ტროის ომში მონაწილეობდა. *დორიელების* შემოსევების შემდეგ (დაახლ. ძვ. წ. XII ს.) ტ-ის აკროპოლისი ხანძარმა გაანადგურა და მას შემდეგ აქ ცხოვრება აღარ განახლებულა. აკროპოლისის ძირში განლაგებული ე. წ. ქვედა ქალაქი განაგრძობდა არსებობას დაახლ. ძვ. წ. 470-მდე, ვიდრე არგოსელებმა საბოლოოდ არ გაანადგურეს.

ტ-ის არქეოლ. შესწავლის დაწყება ჰ. შლიმანისა და ვ. დერპფელდის სახელებთანაა დაკავშირებული. XX ს. 60-იან წლებში ტ-ს ათენის არქეოლ. ინ-ტი იკვლევდა (არქეოლოგი ნ. ვერდელისი).

ლიტ.: Tiryns· Die Ergebnisse des Ausgrabungen des Instituts,Bd. 1—6, Athen—Augsburg—Mainz amRhein, 1912—73.

ტირისძენი, იხ. *დეკემბერი.*

ტირისკნისი, იხ. *ნოემბერი.*

ტირისკონი, იხ. *ნოემბერი.*

ტირისტორი, თირისტორი (ბერძნ. thyra—კარი, შესასვლელი და ინგლ. resistor—*რეზისტორი*), მონოკრისტალის ფუძეზე დამზადებული *p—n—p—n* ტიპის ოთხშრიანი სტრუქტურის *ნახევარგამტარიანი ხელსაწყო*, რ-საც აქვს ელექტრული ვენტილის (იხ. *ვენტილი ელექტრული*) თვისებები და არაწრფივი ვოლტამპერული მახასიათებლები. ტ-ს აქვს სამი *p—n* ჩამკეტი შრე (ელექტრონულ-ხვრელური გადასასვლელი). როდესაც მკვებავი ძაბვა ჩართულია ნახ. 1-ზე ნაჩვენები პოლარობით, მაშინ $გ_1$ და $გ_3$ გადასასვლელებზე მოქმედებს პირდაპირი ძაბვა, ხოლო $გ_2$ გადასასვლელზე — უკუძაბვა. $გ_1$ და $გ_3$ გადასასვლელებით $გ_2$-ის მიმდებარე არეში ხდება არაძირითადი მუხტების მატარებლების ინჟექტირება, რაც ამცირებს $გ_2$ გადასასვლელის წინაღობას, ზრდის მასში გამავალ დენს და ამცირებს მასზე ძაბვის ვარდნას. პირდაპირი ძაბვის გადიდებისას ტ-ში გამავალი დენი ნელა იზრდება (OA უბანი, ნახ. 2). ამ რეჟიმით მუშაობისას შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ტ. „ჩაკეტილია", რადგან $გ_2$ გადასასვლელის წინაღობა დიდია, ხოლო ძაბვა $გ_1$ და $გ_3$ გადასასვლელებზე მცირეა (მთელი მოდებული ძაბვა მოდის $გ_2$-ზე). ტ-ზე ძაბვის გადიდებისას მცირდება $გ_2$-ზე მოვარდნი ძაბვა და სწრაფად იზრდება $გ_1$ და $გ_3$-ის ძაბვა, რაც იწვევს ტ-ში გამავალი დენის გადიდებასა და არაძირითადი მატარებლის ინჟექციის გაძლიერებას $გ_2$ გადასასვლელის არეში. ძაბვის გარკვეული მნიშვნელობის დროს (რამდენიმე ათეული ან ასეული ვ), რ-საც გადართვის ძაბვას უწოდებენ (ნახ. 2, $U_{გად}$); პროცესი ზვავისებურად მიმდინარეობს. დენი მკვეთრად, ნახტომისებურად იზრდება, მცირდება $გ_2$-ის წინაღობა და მასზე ძაბვის ვარდნა. ამ პროცესის შედეგად ტ. მუშაობს დიდი გამტარობის რეჟიმით (ხდება მისი „ჩართვა") და ტ-ში გამავალი დენი განისაზღვრება კვების ძაბვის სიდიდითა და გარე წრედის წინაღობით; ტ. ნახტომისებურად გადადის მცირე გამტარობის რეჟიმიდან დიდი გამტარობის რეჟიმში.

ტ-ს იყენებენ ვენტილების სახით ელექტრული ენერგიის გარდამქმნელებში, შემსრულებელ და მაძლიერებელ ელემენტებად ავტომატური მართვის სისტემებში, მეხსიერების ელემენტებად გამოთვლითი ტექნიკის სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილობაში და ა. შ.

ლიტ.: Кузьмин В. А., Тиристоры малой и средней мощности, М., 1971; Тиристоры (Технический справочник), пер. с англ., 2 изд., М., 1971.

გ. კიკვილაშვილი.

ტირისტორული ელექტრომაძრავი, *ელექტრომაძრავი*, რ-შიც მისი შემსრულებელი ძრავას (შძ) ან სხვა შემსრულებელი მექანიზმის (შმ) მუშაობის რეჟიმი რეგულირდება ტირისტორებიანი გარდამქმნელი მოწყობილობით (გმ). ცვლადი დენის ტ. ე-ში შძ-დ ყველაზე ხშირად იყენებენ ასინქრონულსა და სინქრონულ სამფაზიან ელექტრომძრავებს; ამ ტიპის ტ. ე-ში, რ-საც კვებავს ცვლადი დენის წყარო, მარეგულირებელი გმ-ის დანიშნულებას ჩვეულებრივ ასრულებს ტირისტორული *სიხშირის გარდამქმნელი*; თუ ასეთ ტ. ე-ს კვებავს მუდმივი დენის წყარო, გმ-ად იყენებენ ავტონ. *ინვერტორს*; შმ-ს რევერსირება (იხ. *რევერსიული ელექტრომაძრავი*) ცვლადი დენის ტ. ე-ში წარმოებს სტატორზე მიწოდებული ძაბვის ფაზათა მონაცვლეობის თანამიმდევრობის შეცვლით. მუდმივი დენის ტ. ე-ში იყენებენ მუდმივი დენის ძრავებს, რ-თა დამახასიათებელია თანამიმდევრული, პარალელური, შერეული ან დამოუკიდებელი აგზნება. ამ ტიპის ტ. ე-ში, რ-იც იკვებება ცვლადი დენის წყაროდან, გმ-ის დანიშნულებას ასრულებს ტირისტორული *გამმართველი* დენისა, თუ წყარო მუდმივი დენისაა, გმ-ს წარმოადგენს მუდმივი დენის იმპულსური რეგულატორი. შმ-ს რევერსირება ხდება დენის მიმართულების შეცვლით ღუზის ან ძრავას გრაგნილში; ტ. ე-ს იყენებენ მრეწვ. სხვადასხვა დარგში და ტრანსპორტზე; ტ. ე-ს სიმძლავრეა რამდენიმე *კვტ*-იდან 10 *მგვტ*-მდე და მეტიც.

ტირიტაკე (ბერძნ. Tyritakē), ბოსფორის სახელმწიფოს ქალაქი; ძვ. ბერძნ. წყაროების მიხედვით, პანტიკაპეონის (ახლანდ. ქერჩი) სამხრ.-ით მდებარეობდა. გათხრებმა (1932-იდან) დაადასტურა, რომ ტ., როგორც სავაჭრო-სამიწათმოქმედო პუნქტი, ბერძნებმა დააარსეს ძვ. წ. VI ს. შუა წლებში. შემდგომში ტ-ში განვითარდა ხელოსნობა, ელინისტური ხანიდან — მეღვინეობა; I—III სს-ში ტ. მსხვილი თევზსაჭერი ცენტრი იყო. გა-

თხრებით გამოვლენილია ქალაქის სასიმაგრო კედლის ნაშთი, საცხოვრ. სახლები, მარნები, თევზის დასამარილებელი დიდი ზომის სამეურნეო და საოჯახო ჭურჭელი და სხვ. IV ს. II ნახევარში ტ. დაინგრა (სავარაუდოა ჰუნების შემოსევის შედეგად), თუმცა ცხოვრება ადრინდ. შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

ტირიფი (Salix), ფოთოლმცვივან მცენარეთა გვარი ტირიფისებრთა ოჯახისა. ორსახლიანი ხეები, ბუჩქები ან ჩირგვებია (პოლარული და მაღალმთის ტ-ები). გვარი მოიცავს 600-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი და ცივი ჰავის სარტყლებში. 175-მდე სახეობა გვხვდება სსრკ ტერიტორიაზე. საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია 17 სახეობა. უმეტესობა მთის შუა, სუბალპ. და ალპ. სარტყლებში იზრდება. მ. შ. 2 სახეობა (S. kikodzeae, S. kazbekensis) საქართვ. ენდემია. ტ. ეტანება ჩრდ. ექსპოზიციის ფერდობებსა და ნოყიერ ტენიან ნიადაგს. დაბლობში კი, მდინარეთა ნაპირების გასწვრივ და ჭალის ტყეებში, მეტწილად გავრცელებულია *წწორი* ანუ თეთრი ტ. (S. Alba). მის დრეკად და ყვითელყლორტებიან ფორმებს — „მანეულსა“ და „ყვითელ ტირიფს“ — საგანგებოდ აშენებენ და საკალათე წნელად და ჭიგოდ იყენებენ. ნამდვილი საკალათე ტ. — მ ა ნ ე უ ლ ი (S. viminalis) ჩვენში ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ბაკურიანისა და ციხისჯვრის მიდამოებში. ტ-ის ზოგი სახეობის ქერქი შეიცავს ტანიდებს, ზოგისა — სალიცინს. ბევრი სახეობა დეკორატიულია: ბაღებსა და პარკებში ხშირად აშენებენ აღმ. აზიიდან ინტროდუცირებულ *ძეწნას* (S. babylonica), რ-იც ორიგინ., „მტირალა“ ვარჯით გამოირჩევა. ზოგს ცოცხალ ღობედ და მოსილული ნაპირების დასამაგრებლად იყენებენ. თაფლოვანია. *მ. ლორია.*

ტირიფისებრნი (Salicaceae), ფოთოლმცვივან ორლებიან მცენარეთა ოჯახი. ორსახლიანი ხეები და ბუჩქებია. აქვთ მარტივი, მორიგეობით განლაგებული ფოთლები, წვრილი, მჭადა ყვავილედად შეკრებილი ყვავილები, კოლოფი ნაყოფი. თესლი „აღჭურვილია“ საფრენი ბუსუსებით. აერთიანებს 3 გვარის (*ვერხვი, ტირიფი* და ჩ ო ზ ე ნ ი ა) 700-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი და ცივი ჰავის სარტყლებში. საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია 2 გვარი: ვერხვი და ტირიფი. ამ ოჯახის ზოგ სახეობას, როგორც ადგილობრივს, ისე ინტროდუცირებულს, ფართოდ იყენებენ გამწვანებაში და ქარსაფარ ზოლებად, მერქანს — ქაღალდის, ასანთისა და საფანერო წარმოებაში. მთელი რიგი სახეობების ქერქი და ფოთლები მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს.

მ. ლორია.

ტირიფონის არხი, საინჟინრო სარწყავი სისტემა შიდა ქართლში, ტირიფონის ვაკეზე. იწყება ქ. ცხინვალის სამხრ-ით მდ. დიდი ლიახვის მარცხ. ნაპირზე. მიედართება სამხრ.-აღმ-კენ, გადაკვეთს მდებს პატარა ლიახვს, აძურას, ჭარებულას და თავდება სოფ. პატარა ხურვალეთის მახლობლად მდ. კირბალულასთან. სიგრძე 42 *კმ*. წყლის ხარჯი 14 *მ³/წმ*. მწყობრში ჩადგა 1929. 1960-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად 3-ჯერ მეტი ფართობი ირწყვება. რწყავს გორის რ-ნის 30,6 ათ. ჰა. არხზე აგებულია ტირიფონის ჰესი. *ი. აფხაზავა.*

ტირიფონის ვაკე, შიდა ქართლის ვაკის ნაწილი, მდ. ლიახვის ქვემო (ცხინვალს ქვემოთ) დინების ორივე მხარეზე. სიმაღლე 600—800 *მ*. აღმ-ით საამილახვროს ვაკით უერთდება მუხრან-საგურამოს ვაკეს. აგებულია ალუვიონით. დანაწევრებულია მდ-ების დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდის ქვემო დინებებით და მათგან გამოყვანილი სარწყავი არხებით. დახრილია სამხრ-კენ. ტ. პ-ის ამგებელი ფხვიერი წყებები შეიცავს მაღალწნევიანი არტეზიული წყლების უხვ მარაგს. ვაკეზე გავრცელებულია ძველალუვიური და ალუვიური ნიადაგები. ბუნებრივი მცენარეულობა — ფოთლოვანი ტყე (მუხნარ-რცხილნარი და სხვ.), რ-იც ადრე არსებობდა, თითქმის მთლიანად გაჩეხილია და მისი ადგილი კულტ. ლანდშაფტს უკავია. *ლ. მარუაშვილი.*

ტირიჩმირი, უმალლესი მწვერვალი ჰინდუქუშის მთიან სისტემაში, პაკისტანის ჩრდ. ნაწილში. სიმაღლე 7690 *მ*. აგებულია კრისტ. ქანებით. კალთებზე მყინვარები და ფირნის ველებია.

ტირნოვო, იხ. *ველიკო-ტირნოვო.*

ტირნოვოს აჯანყებები 1598, 1686, ტირნოვოსა და ბულგარეთის სხვა ქალაქების მოსახლეობის მასობრივი შეიარაღებული გამოსვლები ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ტ. ა-ს სათავეში ედგნენ ადგილ. სამღვდელოების, ბოლიარებისა და მოქალაქეთა წარმომადგენლები. ხელმძღვანელობა იმედოვნებდა ტირნოვოს სამეფოს აღდგენას ევრ. სახელმწიფოთა დახმარებით, რ-ებიც აგრეთვე ებრძოდნენ ოსმ. იმპერიას 1592—1606, 1683—99 წლებში. ტ. ა. სასტიკად ჩაახშო ოსმ. ჯარმა.

ტირნოვოს კონსტიტუცია 1879, ბულგარეთის კონსტიტუცია. მიიღო ბულგ. დამფუძნებელმა კრებამ 1879 წ. 16 აპრ. ტირნოვოში, ბულგარეთის ოსმალთა იმპერიის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ. ტ. კ-ით დამყარდა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, გაუქმდა წოდებებად დაყოფა, 21 წლის ყველა მამაკაცს მიენიჭა საარჩევნო ხმის უფლება, შემოღებულ იქნა თემების თვითმმართველობა, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, სავალდებულო უფასო დაწყებითი სწავლება, პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობა, ერთპალატიანი პარლამენტი — ე. წ. ჩვეულებრივი სახ. კრება. სახელმწ. მეთაური იყო მემკვიდრე — მთავარი (1908-დან მეფე), რ-საც ეკუთვნოდა აღმასრ. და სამხ. ხელისუფლება (საკანონმდებლო უფლებას ზღუდავდა პარლამენტი). დინასტიის შეწყვეტის შემთხვევაში მთავრის ასარჩევად იწვევდნენ ე. წ. დიდ სახ. კრებას. 1881 ა. *ბატენბერგმა* ტ. ჯ. გააუქმა. 1884 აღადგინეს მთლიანად შესწორებებით, რ-ებიც აძლიერებდნენ მთავრის ხელისუფლებას. 1947 წ. 4 დეკ. ოფიციალურად გაუქმდა დიდი სახ. კრების გადაწყვეტილებით.

ტირნოვოს სამეფო, ფეოდალური სამეფო ცენტრ. და აღმ. ბულგარეთის ტერიტორიაზე XIV ს. II ნახევარში. დედაქალაქი — ტირნოვო. ტ. ს. წარმოადგენდა ბულგ. მეორე სამეფოს ბირითად ნაწილს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს XIV ს-ში გამოეყო დობრუჯის სამთავრო (ჩრდ.-აღმ.) და ვიდინის სამეფო (ჩრდ.-დას.). XIV ს. 60-იან წლებში ტ. ს-ს მავიწროვისპირა ქ-ები დაიპყრო ბიზანტიამ, ხოლო 1364, 1371—75, 1388 — ოსმალეთმა. 1388 ტ. ს-მ თავი ოსმ. ვასალად ცნო. 1393 სულთან *ბაიაზიდ I-ის* ჯარმა აიღო ქ. ტირნოვო, შემდეგ — მეფე ივანე შიშმანის უკანასკნელი დასაყრდენი — ქ. ნიკოპოლი და ტ. ს. საბოლოოდ გაანადგურა.

ტიროდეს ხსნარი, მარილებისა და გლუკოზის ბალანსირებული წყლის ხსნარი, რ-ის ოსმოსური წნევა და იონების კონცენტრაცია უახლოვდება *სისხლის პლაზმის* სათანადო მაჩვენებლებს. *ფიზიოლოგიური ხსნარების* ერთ-ერთი სახეა. შექმნა ამერ. ფარმაკოლოგმა მ. ტიროდემ 1910.

ტიროლელები, ავსტრიაში, ტიროლში მცხოვრები ხალხი. რაოდ. 539 ათ. კაცი (1971, აღწერა), ცხოვრობენ აგრეთვე იტალიაში. ლიტ. ენა — გერმანული. ყოფაში ლაპარაკობენ ავსტრიულ-ბავარიულ და ალემანურ დიალექტებზე. ტ-ის წინაპრები იყვნენ ძვ. გერმ. ტომები — ბავარები და ალემანები, რ-ებიც ახ. წ. I ათასწლ. II ნახევარში შეერწყნენ ადგილ. რომანიზებულ კელტურ-რეტულილირიულ მოსახლეობას. რელიგია — კათოლიკობა. აქვთ დანარჩენი ავსტრიელებისაგან განსხვავებული მატერ. და სულიერი კულტურა (კოსტიუმი, სიმღერები, ფოლკლორი).

ტიროლი (Tyrol, Tirol), მხარე დას. ავსტრიაში, ალპებში. ფართ. 12,6 ათ. *კმ²*. მოსახლ. 575 ათ. კაცი (1977). ადმ. ც.—ქ. ინსბრუკი. სამხრ. ნაწილში ჭარბობს მაღალმთიანი ალპ. რელიეფი მყინვარებითა და თოვლნარებით (სიმაღლე 3774 *მ*-მდე, მთა ვილდშპიცე), ჩრდით მთები დაბლდება (1000—2000 *მ*-მდე). მთავარი მდინარეა ინი. იღებენ ქვამარილს, მაგნეზიტს. ამზადებენ ხე-ტყეს. განვითარებულია ფერადი მეტალურგია, მანქანათმშ., ლითონდასამუშ., ქიმ., ხის დასამუშ., სამკერვალო, საფეიქრო, კვების მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. მთავარი სამრეწვ. ცენტრია ინსბრუკი. ჰესი (ელექტროენერგიის ნაწილი გადაეცემა გფრ-ს და იტალიას). მეცხვლეობა სარძეო-სახორცე სპეციალიზაციისაა. მისდევენ მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მეღორეობას. ხეობებში ჭვავის, კარტოფილის, ქერის ნათესებია. იტალიას უკავშირდება ბრენერის უღელტეხილით. ტ. ალპინიზმის, ტურიზმისა და სპორტის ზამთრის სახეობათა რ-ნია.

ტიროლის ალპები, ალპების ნაწილის სახელწოდება ტიროლისა (ავსტრია) და ბავარიის (გფრ) ტერიტორიებზე. განვითარებულია ტურიზმი.

ტირპიცი (Tirpitz) ალფრედ ფონ (19. III. 1849, კიუსტრინი, — 6.III. 1930, ებენჰაუზენი, მიუნხენის მახლობლად), გერმანელი სამხედრო-საზღვაო და პოლიტიკური მოღვაწე, გროს-ადმირალი (1911). 1865-იდან ფლოტში იყო. ბალტიის ფლოტისა (1890-იდან) და გერმ. სამხ.-საზღვ. ფლოტის (1892—95) შტაბების უფროსი. 1896—97 სარდლობდა კრეისერების ესკადრას აღმ. აზიაში. 1897—1916 — საზღვ. მინისტრი. დიდ როლს თამაშობდა გერმ. აგრესიული პოლიტ. კურსის შემუშავებაში, იყო გამალებული საზღვ. შეიარაღების იდეოლოგი. 1924—28 რაიხსტაგის დეპუტატი.

ლიტ.: А л я ф у з о в В. А., Доктрины германского флота, М., 1956.

ტირსო დე მოლინა (Tirso de Molina) [ნამდვ. სახელი და გვარი გაბრიელ ტ ე ლ ე ს ი (Téllez)] (1571 ან დაახლ. 1583, მადრიდი, — 12. III. 1648, სორია), ესპანელი მწერალი. მისი ცხოვრების შესახებ ძუნწი ცნობებია შემორჩენილი. ალკალა-დე-ენარესის უნ-ტში სწავლობდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას. 1601-იდან იყო მერსენარების (მოწყალების) ორდენის წევრი, მოგვიანებით—მისი ისტორიოგრაფი („მოწყალების ორდენის ისტორია“, 1—2 ტ., დაახლ. 1639). 1636 პაპმა ურბან VIII-მ ღვთისმეტყველების მაგისტრის უმაღლესი ტიტული უბოძა. პირველი წიგნი „ტოლედური ვილები“ (ნოველებისა და დრამების კრებ.) 1621 გამოაქვეყნა. ტ. დე მ-მ შექმნა 400-ზე მეტი საერო თუ რელიგ. პიესა, რ-თაგან შემორჩენილია დაახლ. 90. ესენია სასიყვარულო ინტრიგებზე აგებული კომედიები, ისტ., ფილოს., ფსიქოლ. დრამები, რამდენიმე ავტო; მათგან აღსანიშნავია: „ქალის სიბრძნე“ (1630—33, გამოქვეყნდა 1634), „წმინდა ხუანა“ (ნაწ. I-III, 1613—14), „ღვთისმოშიში მარტა“ (1615, გამოქვეყნდა 1636), „ეჭვს ეჭვი კურნავს“ (1621—25, გამოქვეყნდა 1635), „მადრიდული აივნები“ (1632—34), „დონ ხილი, მწვანე შარვალი“ (1615, გამოქვეყნდა 1635) და სხვ. ტ. დე მ-მ პირველმა დაამუშავა მხატვრულად მსოფლიო ლიტ-რაში დონ ჟუანის (დონ ხუან ტენორიო) ლეგენდა



ტირიფი. ტირიფები: მდგნალი (Salix caprea): $1_ა$—ფოთლებიანი ტოტი; $1_ბ$—მამრობითმჭადებიანი ტოტი; $1_გ$—მდედრობითი მჭადა; $1_დ$—მამრობითი ყვავილი; $1_ე$—მდედრობითი ყვავილი; $1_ვ$—გახსნილნაყოფებიანი მჭადა; $1_ზ$—გახსნილი კოლოფი; $1_თ$ — თესლი. ბრტყელი ტირიფი (S. pentandra): 2—ფოთლებიანი ტოტი მამრობითი მჭადა ყვავილებით. მანეული (S. viminalis): 3 — ფოთლებიანი ტოტი; 4—ბალახოვანი ტირიფი (S. herbacea).



ტირსო დე მოლინა.

პიესაში „სევილიელი მაცდური ანუ ქვის სტუმარი“ (1619—20, გამოქვეყნდა 1630). ტ. დე მ-ს შემოქმედებაში აშკარად გამოჩნდა გვიანდ. ესპ. ჰუმანიზმის კრიზისი და ბაროკოს ნიშნები. რენესანსული ოპტიმისტური კონცეფციები შეცვალა სკეპტიციზმმა; მის შემოქმედებას გასდევს იმედგაცრუების მკვეთრი მოტივი, შეშფოთება და შიში ყოველივე არსებულის სიყბლების, თეატრალურობის, სიყვარულისა და პატიოსნების იდეალის დამსხვრევის გამო. ტ. დე მ-მ ერთგვარად დაასრულა რენესანსული დრამატურგიის განვითარება და დასაბამი მისცა ახ., ბაროკოს ხელოვნებას.

თხზ.: Obras dramáticas completas, t. 1—3, Madrid, 1946—58 (2ed.— 1961); Комедии, т. 1—2, [М., 1969].

ლიტ.: История западноевропейского театра, т. 1, М., 1956; Менендес-Пидаль Р., Избр. произведения, М., 1961.

ტირტეოსი (Tyrtaios) (ძვ. წ. VII ს. II ნახ.), ძვ. ბერძენი პოეტი, ელეგიკოსი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აოენსა და სპარტაში. წერდა იონიურ დიალექტზე. მის ელეგიებში წამყვანია საბრძოლო მოტივი. ტ. სამოძღვრებო ხასიათის ელეგიებსაც წერდა („ევნომია“ — „კეთილკანონიერება“), რ-თაგან ნაწყვეტებიღაა მოღწეული.

ტირუნელველი, ტინველი, ქალაქი სამხრ.-აღმ. ინდოეთში, ტამილნადის შტატში. 324 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. საფეიქრო, ტყავის, კვების მრეწველობა. ქვაზე, სპილოს ძვალსა და ხეზე კვეთა.



ტიტა.

ტირუჩირაპალი, ტრიჩინოპოლი, ქალაქი სამხრ. ინდოეთში, ტამილნადის შტატში. 608 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. რკინიგზის სახელოსნოები. ბამბასაწმენდი, ტყავის, თამბაქოს საწარმოები. საიუველირო ნაკეთობათა ხელოსნური წარმოება. ტ-ს რ-ნში იღებენ ქარსს.

ტირძნისი, სოფელი გორის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე, დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის შუამდინარეთში, გორ — ცხინვალის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ტ., ბროწლეთი, ერგნეთი, თერგვისი, მელუჯისი). ზ. დ. 790 *მ*, გორიდან 26 *კმ*, შინდისიდან და ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ*. მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), მედპუნქტი, საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სამების, ღვთისმშობლისა და კვირაცხოვლის ეკლესიები.

ტისა (უნგრ. Tisza, სერბ.-ხორვ. Tisa), მდინარე სსრკ-ში, უნგრეთსა და იუგოსლავიაში (ნაწილობრივ წარმოადგენს საზღვარს სსრკ-სა და რუმინეთს შორის, აგრეთვე უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის). დუნაის უდიდესი მარცხ. შენაკადი. სიგრძე 966 *კმ*, აუზის ფართ. 157,1 ათ. *კმ*². სათავე აქვს აღმ. კარპატებში. დიდ მანძილზე მიედინება შუა დუნაის ვაკეზე. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის მარტ.-აპრ.-ში, ზაფხულში — წყალმოვარდნები. ცივ ზამთარში იყინება 1—2 თ. წყლის საშ. ხარჯი ქვემოთში (ქ. სენტასთან, იუგოსლავია) 810 $მ^3/წმ$. ტ-ისა და მისი შენაკადების წყალს იყენებენ სარწყავად. ტ-ზე (უნგრეთი) აგებულია ჰიდროკვანძები. სანაოსნოა ქ. ტისაკარადამდე (უნგრეთი). ზემოთში ხეტყის დაცურება. ტ-ის ნაპირზეა ქ-ები. ხუსტი (სსრკ), ტისაფიურედი, სოლნოკი, სეგედი (უნგრეთი).

ტისანდიე (Tissandier) გასტონ (21. XI. 1843, პარიზი, — 30. VIII. 1899, იქვე), ფრანგი აერონავტი, ჟტორი ნაშრომისა „ჰაერნაოსნობის ისტორია“ (1878). 1875 წ. 15 აპრ. გ. სიველთან და ჟ. კროჩე-სპინელთან ერთად აეროსტატით მიაღწია 8600 *მ* სიმაღლეს. 1883 ძმასთან, ალბერთან, ერთად შეიმუშავა ელექტრული ხრახნიანი აეროსტატის პროექტი. 1883 და 1884 ამ აეროსტატით წარმატებით ჩატარდა საცდელი გაფრენები.

ტისე ედუარდ კაზიმირის ძე [1(13). IV. 1897, ლიეპაია, — 18.XI. 1961, მოსკოვი], საბჭ. ოპერატორი. რსფსრ (1935) და ლატვ. სსრ (1947) ხელოვნ. დამს. მოღვაწე. სკკპ წევრი 1940-იდან. კინოში მოღვაწეობდა 1914-იდან (ლიეპაიაში). გადაღებული აქვს ფილმები: „შეტაკება“ (1925), „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ (1925), „ოქტომბერი“ (1927), „ძველი და ახალი“ (1929), „ალექსანდრე ნეველი“ (1938), „ივანე მრისხანე“ (1945; II სერია ა. მოსკვინთან ერთად, 1958), „შეხვედრა ელბაზე“ (1949), „კომპოზიტორი გლინკა“ (1952) და სხვ. მოსკვინთან და ა. გოლოვნიასთან ერთად ტ. ითვლება საბჭ. საოპერატორო სკოლის ფუძემდებლად. 1921-იდან ასწავლიდა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტში, 1943-იდან პროფესორი. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946, 1949, 1950). დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით.

ტისერანი (Tisserand) ფრანსუა (13. I. 1845, ნიუი-სენ-ჟორჟი, კოტ-დ'ორის დეპარტ., — 20. X. 1896, პარიზი), ფრანგი ასტრონომი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1878-იდან). 1866 დაამთავრა უმაღლესი ნორმალური სკოლა. უნ-ტის პროფესორი და ობსერვ. დირექტორი (1873-იდან) ტულუზაში. 1878—92 გრძედების ბიუროს წევრი პარიზში და პარიზის უნ-ტის პროფესორი, 1892-იდან პარიზის ობსერვ. დირექტორი. მუშაობდა ძირითადად ცის მექან. დარგში; იკვლევდა მზის სისტემის მდგრადობას, კომეტების მოძრაობას (შეძმუშავა კომეტების გაიგიების კრიტერიუმი) და სხვ. ხელმძღვანელობდა „Bulletin astronomique“-ის გამოცემას.

თხზ.: Traité de mécanique céleste, t. 1—4, P., 1889—96.

ტიტა (Tulipa), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. აქვს კვერცხისებრი ან მომრგვალო ბოლქვი, ცილინდრული, სწორმდგომი ღერო, რ-ის სიმალლე 6-50 *სმ* აღწევს, ზედ 2—6 ფოთოლია. ღეროზე უვითარდება ერთი (ან რამდენიმე) ღია ფერის ყვავილი, რ-იც მზიან ამინდში გადახსნილია, ხოლო ღამით — დახურული. ჯვარედინმტვერიაა. ნაყოფი სამწახნაგიანი კოლოფია, თესლი ბრტყელია, მოყავისფრო ყვითელი. ტ. მრავლდება თესლით, კულტურაში — თესლითა და ბოლქვაკებით. გვარში 140 სახეობაა, სსრკ-ში გავრცელებულია — 83, უმთავრესად შუა აზიაში, ცალკეული სახეობები — კავკასიაში, ევრ. ნაწილის სამხრ. და ცენტრ. რ-ნებსა და ციმბირში. საქართველოში, ქართლის რ-ნებში, ტ-ს 2 სახეობა ხარობს—T. Eichleri და T. biebersteniana. ამჟამად კულტურაშია ველური სახეობებისაგან მიღებული 4000-ზე მეტი ჯიში. ტ-ს ყვავილი სურნელოვანია, ზოგიერთი ჯიშის გარდა. ყვავილობს საშუალოდ 15 დღეს, საგვიანო ჯიშები—25—30 დღემდე. ღეროს სიმალლისა და ყვავილის ფორმის მიხედვით ტ. იყოფა შემდეგ საბაღო ჯგუფებად: მარტივი ადრეული, ბუთხუზყვავილა ადრეული, ტრიუმფი, კოტევჩისა, დარვინისა, ბრიდერისა, დარვინის ჰიბრიდები და სხვ. ტ-ს იყენებენ დეკორ. მებაღეობაში, კლუმბების, რაბატების, კლდებაღის, ყვავილწნულების გასაფორმებლად, თაიგულებად და სხვ. *ლ. ასიეშვილი.*

ტიტა, სოფელი მესტიის რ-ნში (ჭუბერის სოფსაბჭო), მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1040 *მ*, მესტიიდან 85 *კმ*. ხაიშის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. სგურიშში (5 *კმ*).

ტიტანატები, ტიტანმჟავათა მარილები; იხ. ტიტანი.

ტიტანები (ბერძნ. Titanes), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში უფროსი თაობის ღმერთები. ჰესიოდეს მიხედვით, ურანოსისა და გეას 12 შვილი: ოკეანე, კოიოსი, კრიოსი, ჰიპერიონი, იაპეტე, კრონოსი (*ძმები*), თეა, რეა, ტეთისი, ფებე, მნემოსინე, თემიდა (*დები*). იმის შიშით, რომ შვილები ძალაუფლებაში შეეცილებოდნენ, ურანოსმა ტარტაროსში ჩაყარა თავისი შვილები, ციკლოპები და ჰეკატონქეირები (ასხელიანი გოლიათები). გეას რჩევით, ტ-მა კრონოსის მეთაურობით მამა ტახტიდან ჩამოაგდეს, გაათავისუფლეს ციკლოპები, ჰეკატონქეირები და კრონოსი გააბატონეს; ხოლო კრონოსსა და ტ-ს ოლიმპიელი ღმერთები — ზევსი, მისი ძმები და დები შეებნენ. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ზევსმა ჰეკატონქეირების და ციკლოპების დახმარებით ძლია ტ-ს და ტარტაროსში ჩაყარა, ხოლო მცველებად ისევ ჰეკატონქეირები მიუჩინა. ღმერთების ეს ბრძოლა ტიტანომაქიის სახელით არის ცნობილი. მითების გვიანდ. ვერსიებში ტ-ს გიგანტებთან (იხ. *ურანოსი*) აიგივებდნენ.

გადატანითი მნიშვნელობით ტ-ს დიდი გაქანების მქონე ადამიანებს უწოდებენ, რ-ებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული გონიერებით და ნიჭით. *ა. გელოვანი.*

ტიტანი, პლანეტა სატურნის თანამგზავრი. დიამეტრი 5 ათ. *კმ*, პლანეტის ცენტრიდან საშ. დაშორება 1220 ათ. *კმ*. აღმოაჩინა კ. *ჰიუგენსმა* 1655. იხ. *პლანეტის თანამგზავრი.* უკანასკნელი წლების გამოკვლევები მიუთითებენ ტ-ის ატმოსფეროს არსებობაზე.

ტიტანი (Titanium), Ti, ელემენტთა პერიოდული სისტემის IV ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 22, ატ. მასა 47, 90, $t_{დნ}$ 1665°C, $t_{დუღ}$ 3227°C, სიმკვრივე 4500 $კგ/მ^3$, მოვერცხლისფრო-თეთრი მსუბუქი ლითონი. ბუნებრივი ტ. შედგება ხუთი მდგრადი იზოტოპისაგან, რ-თა მასური რიცხვებია 46÷50. ცნობილია აგრეთვე რადიოაქტიური იზოტოპები: ^{45}Ti, ^{51}Ti და სხვ. ლითონური ტ. მიიღო ამერ. მეცნ. მ. ჰანტერმა 1910. დედამიწის ქერქში ტ-ის საშ. შემცველობა მასის მიხედვით 0,57%-ია, ბიოსფეროში ტ. გაბნეულია. ზღვის წყალი შეიცავს $1 \cdot 10^{-7}$% ტ-ს. ცნობილია ტ-ის 67 მინერალი, მ. შ. მნიშვნელოვანია *რუტილი* და *ილმენიტი*.

ს.ფუთა ტ. ქიმიურად აქტიური გარდამავალი ელემენტია. ნაერთებში მისი ჟანგვის რიცხვია +4, იშვიათად +3 და +2. ჰაერის ჟანგბადთან ურთიერთქმედებს 600°C-ზე უფრო მაღალ ტემპ-რაზე და წარმოქმნის TiO_2, აზოტთან კი 700°C უფრო მაღალ ტემპ-რაზე და წარმოქმნის TiN. ტ. ენერგიულად ურთიერთქმედებს მშრალ ჰალოგენებთან. აზოტმჟავასა და ძლიერ განზავებულ გოგირდმჟავას მიმართ ტ. მდგრადია. მარილ.-კონცენტრირებულ გოგირდ- და ცხელ ორგ. მჟავებში ტ. იხსნება; C, B, Se, Si-თან ტ. წარმოქმნის ლითონისებრ ნაერთებს. კარბიდი TiC ($t_{დნ}$ 3140°C) მიიღება ტ-ის TiO_2-ის შურთან გახურებისას (1900 —2000°C) წყალბადის ატმოსფეროში, ხოლო ნიტრიდი TiN ($t_{დნ}$ 2950°C) — ტ-ის ფხვნილის აზოტში გახურებისას (700°C). ცნობილია ტ-ის სილიციდები და ბორიდები. ტ. შთანთქავს წყალბადს და წარმოქმნის მყარ ხსნარებსა და ჰიდრიდებს (TiH, TiH_2). TiO_2 და ტუტეების ურთიერთქმედებით წარმოიქმნება ტიტანმჟავათა მარილები: მეტა- და ორთოტიტანატები (მაგ. Na_2TiO_3 და Na_4TiO_4). ტიტანატებს მიეკუთვნება ტ-ის მნიშვნელოვანი მინერალები: ილმენიტი და პეროვსკიტი. ტიტანატები წყალში მცირედ ხსნადი ნივთიერებებია. ტ-ის მიღების მნიშვნელოვანი მეთოდია მისი ტეტრაქლორიდის აღდგენა მაგნიუმით (იშვიათად ნატრიუმით). ტ-ის ძირითადი ნაწილი ხმარდება საავიაციო და რაკეტულ ტექნიკას, საზღვაო გემთმშენებლობას (იხ. *ტიტანის შენადნობები*), ფართოდ იყენებენ აგრეთვე მრავალ სხვა დარგში,

ქიმ. მრეწველობაში, სამშენებლო საქმეში და სხვ.

ტ. ორგანიზმში. ტ-ს შეიცავს მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილები. ხმელეთის მცენარეებში მისი კონცენტრაცია 10^{-4}%-მდეა, ზღვის მცენარეებში — $1{,}2 \cdot 10^{-3}$-იდან $8 \cdot 10^{-2}$%-მდე. ხერხემლიან ცხოველებში ტ. ძირითადად არის რქოვან წარმონაქმნებში, ელენთაში, თირკმელზედა ჯირკვლებში, ფარისებრ ჯირკვალში, პლაცენტაში. კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ტ. ცუდად შეიწოვება. ადამიანი დღე-ღამეში საკვებსა და წყალთან ერთად იღებს 0,85 *მგ* ტ-ს, გამოყოფს შარდსა და განავალთან ერთად (შესაბამისად 0,33 და 0,52 *მგ* რაოდენობით). ტ. ნაკლებად ტოქსიკურია.

ლიტ.: Глазунов С. Г., Моисеев В. Н., Конструкционные титановые сплавы, М., 1974; Горощенко Я. Г., Химия титана, [ч. 1—2], К., 1970—72.

ტიტანია, პლანეტა ურანის თანამგზავრი. დიამეტრი 1600 *კმ*, პლანეტის ცენტრიდან საშ. დაშორება≈439 ათ. *კმ*. ორბიტის სიბრტყე თითქმის მართობულია ურანის ორბიტის სიბრტყისადმი; აღმოაჩინა უ. *ჰერშელმა* 1787. იხ. *პლანეტის თანამგზავრი.*

ტიტანის ჟანგეულები, ტიტანის ნაერთები ჟანგბადთან TiO, Ti_2O_3, TiO_2. მნიშვნელოვანი ჟანგეულია TiO_2, რ-იც ბუნებაში მოიპოვება რამდენიმე მინერალის (რუტილი, ანატაზი და ბრუკიტი) სახით. სუფთა TiO_2 თეთრი ფხვნილია ($t_{დნ}$ 1830—1850°C); ტექ. ტ. ჟ-ს ღებულობენ რუტილისა და სხვ. მადნებისგან; იყენებენ მაღალხარისხოვანი თეთრი საღებავის დასამზადებლად, რეზინის მრეწველობაში, პლასტმასების წარმოებაში და სხვ.

ტიტანის შენადნობები, ტიტანის ფუძეზე დამზადებული შენადნობები. ტ. შ. მსუბუქია, ახასიათებს მაღალი სიმტკიცე კრიოგენულიდან (—250°C) ზომიერად მაღალ (300—600°C) ტემპ-რულ ინტერვალში და კარგი კოროზიამედეგობა. ამ თვისებების გამო მათ ფართოდ იყენებენ საკონსტრუქციო მასალად ავიაციაში, სატრანსპ. მანქანათმშენებლობაში და სხვ. ტ. შ-ის მისაღებად საჭიროა ტიტანის ლეგირება Al, V, Mo, Mn, Sn, Zr, Cr, Cu, Fe, W, Ni, Si-ით; შედარებით იშვიათად მიმართავენ Nb და Ta-ით ლეგირებას. მიკროდანამატებად იყენებენ Pd (კოროზიამედეგობის გასაზრდელად) და B (მარცვლების დასაწვრილმანებლად). მაღლეგირებელ დანამატებს α- და β-Ti-ში სხვადასხვანაირი ხსნადობა აქვთ. ისინი ცვლიან α/β გარდაქმნის ტემპ-რას. Al, O და N, რ-ებიც უკეთ იხსნებიან α-Ti-ში, α-სტაბილიზატორებს უწოდებენ. Sn და Zn კარგად იხსნებიან ტიტანის ორივე ალოტროპიულ მოდიფიკაციაში და ნაკლებად მოქმედებენ α/β გარდაქმნის ტემპ-რაზე. ყველა დანარჩენი დანამატი უკეთ იხსნება β-Ti-ში და ამცირებს ტიტანის პოლიმორფული გარდაქმნის ტემპ-რას.

არალეგირებულ ტიტანში, აგრეთვე α-სტაბილიზატორებიან და ნეიტრალური განმამტკიცებლების შემცველ ტ. შ-ში შეუძლებელია მაღალტემპ-რული β-მოდიფიკაციის წრთობით ფიქსირება, რადგანაც ადგილი აქვს მარტენსიტულ გარდაქმნას. ხოლო β-სტაბილიზატორების შემცველ შენადნობებში კონცენტრაციის შესაბამისად შეიძლება β-ფაზის ნებისმიერი შედგენილობის (100%-იც კი) ფიქსირება. სამრეწვ. ტ. შ-ს სტრუქტურის ტიპის მიხედვით ყოფენ 3 ჯგუფად. α-ს ტრუქტურის ფუძიან შენადნობებს განეკუთვნება Al, Sn და Zr, აგრეთვე მცირე რაოდენობით (0,5—2%) β-სტაბილიზატორების შემცველი ტ. შ. რადგანაც ისინი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავენ β-ფაზას თერმული დამუშავებით არ გამტკიცდებიან და ამიტომ ეკუთვნიან საშ. სიმტკიცის შენადნობებს ($\sigma_в$=700—950-*მეგ/მ*^{2} ან 70—95 *კგძ/მმ*^{2}). α-შენადნობების დადებითი თვისებებია კარგი შედუღებადობა, მაღალი ცოცვადობის ზღვარი, კარგი სამსხმელო თვისებები და სხვ. ორფაზიან α+β-შენადნობებს უფრო მაღალი ტექნოლ. პლასტიკურობა ახასიათებთ, ვიდრე α-შენადნობებს, ამასთან შეიძლება მათი თერმული დამუშავება მაღალ სიმტკიცემდე ($\sigma_в$= 1500—1800 *მეგ/მ*^{2} ან 150—180 *კგძ/მმ*^{2}). მათ შეიძლება ახასიათებდეთ მაღალი მხურვალმტკიცობაც. ორფაზიანი შენადნობები უფრო ცუდად შედუღებადია, ვიდრე α-სტრუქტურის ფუძიანი ჯგუფის შენადნობები. β-სტრუქტურის ფუძიან შენადნობებს ახასიათებს კარგი შედუღებადობა და ყველაზე მაღალი ტექნოლ. პლასტიკურობა; დაძველების შემდეგ იძენენ მაღალ სიმტკიცეს, მაგრამ არ შეიძლება მათი შენადული ნაკერის თერმული დამუშავება. შენადნობების ნაკლია აგრეთვე შედარებით დაბალი ზღვრული სამუშაო ტემპ-რა (300°C).

გამოყენების სფეროსა და ნახევარფაბრიკატების სახეობის მიხედვით შეიძლება შენადნობების შემდეგ ჯგუფებად დაყოფა: ძირითადად ფურცლებისათვის განკუთვნილი შედუღებადი შენადნობები (BT5-1, OT4-0, OT4-1, OT4, BT20, BT6C, BT14, BT15); შტამპვისათვის განკუთვნილი გაზრდილი სიმტკიცის შენადნობები (BT5, BT6, BT14, BT16, BT22); შტამპვისათვის განკუთვნილი მხურვალმტკიცე შენადნობები (BT3-1; BT8; BT9; BT18).

გარდა ჩვეულებრივი თერმული დამუშავებისა, რ-იც მოიცავს წრთობასა და დაძველებას, მიმართავენ სხვადასხვა რეჟიმით მოწვას, თერმომექან. დამუშავებას, აგრეთვე იზოთერმულ დეფორმაციას. შეიძლება ტიტანისა და ტ. შ-ის ჭედვა, მოცულობითი და ფურცლოვანი შტამპვა, წნეხა, ადიდვა და სხვ. ტ. შ-ზე რეკომენდებულია დამცავი ემალის საფრის გამოყენება. თერმული დამუშავება უნდა ჩატარდეს ნეიტრალურატმოსფეროიან ან გაკუმულ ღუმლებში. სხრკ-ში ყველაზე მეტად იყენებენ სამსხმელო ტ. შ-ს ВТ5Л. ფალიბების დასამზადებლად იყენებენ სპეც. კერამ. და გრაფიტის ნარევს, აგრეთვე ფოლადის კოკილს.

ტიტა რუფო (Titta Ruffo) (ნამდვ. სახელი და გვარი კაფიერო ტიტა რუფო) (8. VI. 1877, პიზა, — 6. VII. 1953, ფლორენცია, დაკრძალულია მილანში), იტალიელი მომღერალი (ბარიტონი). მუშაობდა მჭედლად. სიმღერის სწავლა დაიწყო 19 წლისამ. დებიუტი შედგა რომში 1898 (მაცნეს პარტია ვაგნერის „ლოენგრინში"). 1920-იან წლებში მღეროდა „მეტროპოლიტენ-ოპერაში" (ნიუ-იორკი). 1931 შემდეგ დატოვა სცენა. ტ. რ-ს ჰქონდა იშვიათი ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ხმა. პარტიები: რიგოლეტო, იაგო (ვერდის „რიგოლეტო", „ოტელო"), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი"), სკარპია (პუჩინის „ტოსკა"), ტონიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები"), დემონი(რუბინშტეინის „დემონი") და სხვ.

ტიტესტერიზაცია, ჩაის ხარისხის განსაზღვრა ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების (გარეგნული შეხედულების, ნაყენის ფერის ინტენსივობის, არომატის, გემოსა და გამონახარში ფოთლის ფერის) მიხედვით. გარეგნული შეხედულებით შავი ბაიხაოს ჩაი არის ფოთლოვანი (Л-1, Л-2, Л-3) და წვრილი (М-1, М-2, М-3). სხვადასხვა სახის ჩაი არომატის, გემოს, ნაყენის ინტენსივობის, გარეგნული შეხედულებისა და გამონახარში ფოთლის ფერის მიხედვით იყოფა შემდეგ ხარისხებად: „თაიგული" (ფასდება 5 ბალით); უმაღლესი ხარისხის I კატეგორია (4,75; 4,5; 4,25), უმაღლესი ხარისხის II კატეგორია (4; 3,75), I ხარისხის (3,5; 3,25), II ხარისხის I კატეგორია (3; 2,75), II ხარისხის II კატეგორია (2,5, 2,25), მეორე ხარისხის III კატეგორია (2; 1,75); III ხარისხი (1,5), ფხვნილი (1,5). ბალური შეფასებები არომატსა და გემოზე, როგორც წესი, ერთნაირია, ამიტომ მათ ხშირად ერთნაირად აფასებენ. მზა პროდუქცია გარეგნულად ფასდება 1,5 ბალიდან 4 ბალამდე. მწვანე ბაიხაოს ჩაი ხარისხებისა და ფოთლის სახის მიხედვით ისეთივეა, როგორც შავი ჩაი, ოღონდ მწვანეში არ არის М-1 ფრაქცია. მწვანე ბაიხაოს ჩაის ბალური შეფასება რამდენადმე განსხვავდება და „თაიგული" ფასდება 5,75 ბალით, უმაღლესი ხარისხის I კატეგორია — 5,5; 5,25 ბალით, II კატეგორია — 5,0; 4,25 ბალით; I ხარისხი — 4; 3,25 ბალით. დანარჩენი ხარისხები ისევე ფასდება, როგორც შავი ჩაისა. ყველაზე მაღალი ღირსებისაა წვრილი პირველი (М-1) ბაიხაოს ჩაი; ძირითადად შედგება დუყის გაუშლელი კვირტებისა და ნაწილობრივ კარგად ნაგრეხი პირველი ფოთლისაგან.

ლიტ.: გალდაგაძე ი., ჩაის დახარისხება და დეგუსტაცია, თბ., 1974.



ი. ტიტო

ტიტვინისწყარო, სოფელი ხაშურის რ-ნში (წალვლის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე. ზ. დ. 895 *მ*, ხაშურიდან 32 *კმ*, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სად.) 21 *კმ*. წალვლის მეხილეობა-მეექანიზების საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. წალვლში (2,5 *კმ*).

ტიტიკაკა (Titicaca), ტექტონიკური ტბა ცენტრ. ანდებში, პერუსა და ბოლივიის საზღვარზე. უდიდესია სამხრ. ამერიკაში. მდებარეობს 3812 *მ* სიმაღლეზე (დიდ ტბათა შორის ყველაზე მაღლა მდებარე ტბა დედამიწაზე). ფართ. 8300 *კმ*^{2}, სიღრმე 304 *მ*-მდე. ტ. ძვ. ვრცელი წყალსატევის ნაწილია. ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილი აქვს. ერთვის მრავალი მდინარე. მისგან გამოედინება მდ. დესაგუადერო და ერთვის პოოპოს ტბას. ტ-ის წყლის ტემპ-რა ზედაპირზე შუაგულში მუდმივია (10—12°C), ნაპირებთან — ცვალებადი. ზაფხულში ღამით სანაპირო მონაკვეთები ზოგჯერ ყინულით იფარება. წყლის დონე მაღალია მარტში, დაბალია მაისიდან იანვრამდე. წყლის ქიმ. შედგენილობა ოკეანისას მიაგავს. ნაოსნობა. თევზჭერა. მნიშვნელოვანი ქალაქი და ნავსადგურია პუნო (პერუ), რ-იც რკინიგზით უკავშირდება ქ. მოლიენდოს (წყნარი ოკ. სანაპირო).

ტიტო, ბროზ ტიტო (Broz Tito) იოსიპ (25. V. 1892, კუმროვეცი, ხორვატია, — 4. IV. 1980, ბელგრადი), იუგოსლავიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. იუგოსლ. კომუნისტთა კავშირის (იკკ) თავ-რე — 1966-იდან (1940—52 იუგოსლ. კომპარტიის ცკ-ის გენ. მდივანი, 1952—66 იკკ გენ. მდივანი), იუგოსლ. პრეზიდენტი 1953-იდან (1974 მაისში იუგოსლ. სოც. ფედერ. რესპ-ს სკუპშჩინამ ამ თანამდებობაზე აირჩია უვადოდ), ისფრ პრეზიდიუმის თავ-რე 1971-იდან, მარშალი (1943), სამგზის იუგოსლ. სახ. გმირი (1944, 1972, 1977), სოციალ. შრომის გმირი (1950). დაიბადა გლეხის ოჯახში. 1910 შევიდა ხორვატიისა და სლავონიის ს.-დ. პარტიაში. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს დაიჭრა და სამხ.ტყვედ მოხვდა რუსეთში (1915), ეწეოდა რევ. მოღვაწეობას, 1920 დაბრუნდა სამშობლოში და შევიდა იუგოსლ. კომპარტიაში (იკპ). 1934 იკპ ცკ-ისა და პოლიტბიუროს წევრად აირჩიეს. 1935—36 იმყოფებოდა მოსკოვში, მუშაობდა კომინტერნში. 1936 არალეგალურად დაბრუნდა სამშობლოში და 1937 სათავეში ჩაუდგა იკპ-ს. იუგოსლავიაში სახ.-განმათ. ომის დროს (1941—45) იყო იუგოსლ. სახ.-განმათ. არმიისა და პარტიზ. რაზმების უმაღლ. მთავარსარდალი. 1943—45 იყო იუგოსლ. განთავისუფლების ეროვნ. კომიტეტის თავ-რე; 1945—46 დროებითი მთავრობის თავ-რე თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი, 1945—



გ. ტიტოვი.

53 მინისტრთა საბჭოს თავ-რე, 1953—63 საკავშ. აღმასრ. კომიტეტის (მთავრობის) თავ-რე. დაჯილდოებულია მრავალი ორდენით, და საბჭ. ორდენით. *გ. სიმონიძე.*

ტიტოგრადი (1952-მდე პოდგორიცა), ქალაქი იუგოსლავიაში, ჩერნოგორიის სრ-ის დედაქალაქი. გაშენებულია სკადარის ტბის ქვაბულში, მდ-ების რიბნიცისა და მორაჩის შესართავთან. 95,8 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. აეროპორტი. ალუმინის კომბინატი; ლითონდასამუშ. ავეჯის, საფეიქრო, კვების მრეწვ. საწარმოები. უნ-ტი.

ძველად ტ-ის ტერიტორიაზე იყო რომაული დასახლება. სლავური ტომების დამკვიდრების შემდეგ ეწოდა რიბნიცა. XII ს. 80-იანი წლებიდან 1360-მდე ეკუთვნოდა ნემანიჩების დინასტიას (დაახლ. 1330-იდან ეწოდებოდა პოდგორიცა). 1361—1421 მართავდნენ ჩერნოგორიის მთავრები. შედიოდა ზეტის სამთავროს შემადგენლობაში; იყო ვენეციას, ხოლო 1452-იდან — ზეტის ველიკაშის ადგილსამყოფელი. ოსმ. სულთნის მეჰმედ II-ის მიერ სკადარის სანჯაყის დაარსების (1479) შემდეგ შევიდა მის შემადგენლობაში. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ოკუპირებული იყო ავსტრ.-უნგრ. ჯარების მიერ. 1941 აპრ-იდან 1944 წ. 18 მარტამდე ოკუპირებული იყო იტალ. ჯარების მიერ. გათავისუფლა იუგოსლ. სახ.-განმათ. არმიამ. 1952 ი. ბროზ ტიტოს პატივსაცემად ეწოდა „ტ.“ 1963-იდან ჩერნოგორიის სოციალ. რესპ. დედაქალაქია.

ტიტოვები, კულტურის რუს მოღვაწეთა ოჯახი. ნიკოლოზ სერგეის ძე, XVIII ს. პოეტი, დრამატურგი და კომპოზიტორი, სამხ. მოსამსახურე (პოლკოვნიკი). 1766—69 მოსკ. საჯარო თეატრის დირექტორი. ეკუთვნის კომედიები: „მოტყუებული მეურე“, „მემკვიდრენი“, მისი ვაჟები: ალექსი ნიკოლოზის ძე [12 (23). VII. 1769, პეტერბურგი, — 8. (20). XI. 1827, იქვე], კომპოზიტორი და მევიოლინე, გენერალ-მაიორი. დაწერა მრავალი ოპერა, მ. შ. „იამი, ანუ სფოსტო სადგური“ (1805), მუსიკა ბალეტისათვის „ახალი ვერთერი“, (1799, სხვა ცნობებით ეს მუსიკა ეკუთვნის მის ძმას სერგეი ნიკოლოზის ძეს). სერგეი ნიკოლოზის ძე [1770 — 24. III. (5. IV). 1825], კომპოზიტორი და ვიოლონჩელისტი. გენერალ-ლეიტენანტი. დაწერა ოპერა „გლეხები ანუ დაუპატიჟებელთა შეხვედრა“ (დადგა 1814). ალექსი ნიკოლოზის ძის ვაჟები: მიხეილ ალექსის ძე [5 (17). IX. 1804, პეტერბურგი, — 3 (15). XII. 1853, პავლოვსკი], კომპოზიტორი. პრეობრაჟენსკოეს პოლკის ოფიცერი. ავტორია რუს. და ფრანგ. რომანსებისა „ოჰ, მარტო ვარ ქვეყანაზე“, „მითხარ, რისთვის დაგინახე“ და სხვ.; ნიკოლოზ ალექსის ძე [28. IV (10. V). 1800, პეტერბურგი, — 10(22). XII. 1875, იქვე], კომპოზიტორი, გენერალ-მაიორი. ეკუთვნის რომანსები: „განმარტოებული ფიქრი“, „ცისფერი შარფი“, „ცბიერი მეგობარი“ და სხვ. მას „რუსული რომანსის პაპას“ უწოდებენ, დაწერა ცნობილი კადრილი „სიყმაწვილის ცოდვები“. სერგეი ნიკოლოზის ძის ვაჟი ნიკოლოზ სერგეის ძე (1798—1843, მოსკოვი), კომპოზიტორი, სემიონოვსკოეს პოლკის ოფიცერი. მისი რომანსებიდან აღსანიშნავია „ავგაროზი“, „ნუ მღერ, ლამაზო“ (პუშკინის სიტყვებზე).

ტიტოვი გერმან სტეფანეს ძე (დ. 11. IX. 1935, სოფ. ვერხნეე-ჟილინო, კოსიხის რ-ნი, ალთაის მხარე), სსრკ კოსმონავტი მფრინავი. ავიაციის გენერალ-მაიორი (1975). საბჭ. კავშირის გმირი (9. VIII. 1961). სკკპ წევრი 1961-იდან. 1957 დაამთავრა სტალინგრადის სამხ.-საავიაციო სასწავლებელი. მუშაობდა ავიაციაში. კოსმონავტთა რაზმშია 1960-იდან. 1961 წ. 6—7 აგვ. განახორციელა ისტორიაში მეორე კოსმ. ფრენა ხომალდ „ვოსტოკ-2-ით“: 17-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. 1968 დაამთავრა ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია, 1972 — კ. ვოროშილოვის სახ. გენ. შტაბის სამხ. აკადემია. სსრკ VI და VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, მედლებით, უცხ. სახელმწიფოთა ორდენებით, აქვს სოციალ. შრომის გმირისა და სხვა საპატიო წოდებები. მისი სახელი ეწოდა მთვარის უკანა მხარის ერთ-ერთ კრატერს.

ლიტ.: Голубая моя планета, М., 1973; Семнадцать космических зорь, М., 1963; 700 000 километров в космосе, М., 1961.

ტიტოვი ვლადიმერ გიორგის ძე (დ. 1. I. 1947, ქ. სრეტენსკი, ჩიტის ოლქი), საბჭ. კოსმონავტი მფრინავი, პოდპოლკოვნიკი. სკკპ წევრი 1971-იდან. 1970 დაამთავრა ჩერნიგოვის მფრინავთა უმაღლესი სამხ.-საავიაციო სასწავლებელი. მუშაობდა სამხ.-საჰაერო ძალებში. კოსმონავტთა რაზმშია 1976-იდან. 1983 წ. 20—22 აპრ. ა. *სერებროვსა* და გ. სტრეკალოვთან ერთად იფრინა კოსმოსში ხომალდ „სოიუზ ტ-8-ით“.

ტიტრი (ფრანგ. titre—ხარისხი, დახასიათება), *ანალიზურ ქიმიაში* ხსნარის კონცენტრაცია, რ-იც გამოისახება გახსნილი ნივთიერების რაოდენობით (გრამებში) 1 *მლ* ხსნარში ან იმ ნივთიერების რაოდენობით, რ-იც რეაგირებს მოცემული ხსნარის 1 *მლ*-თან. ხსნარებს ცნობილი ტ-ით (სტანდ. ხსნარები) იყენებენ *ტიტრიმეტრიულ ანალიზში.*

ტიტრი კინოში, წარწერა ფილმში. განასხვავებენ სასათაურო, შესავალ, შუალედურსა და დასკვნითს ტ-ებს, აგრეთვე ე. წ. სუბტიტრებს — კადრსშიგა წარწერებს (უცხოურ ფილმში, თუ იგი არაა დუბლირებული). „მუნჯ“ კინოში ტ. ასახავდა დიალოგს, მოქმედების დროსა და ადგილის შეცვლას და ა. შ. ხმოვან კინოში ტ-ს უმეტესად სათაურში იყენებენ.

ტიტრი საფეიქრო მრეწველობაში, ბოჭკოების ან ძაფების წირითი სიმკვრივის მოძველებული საზომი ერთეული. შეცვლილია *ტექსით.*

ტიტრიმეტრიული ანალიზი, *რაოდენობითი ანალიზის* მეთოდი, ემყარება ზუსტად ცნობილი კონცენტრაციის რეაგენტის (ტიტრანტის) ხსნარის მოცულობის გაზომვას, რ-იც იხარჯება მოცემული რაოდენობის საანალიზო ნივთიერებასთან რეაქციისას. ტ. ა-ს ატარებენ პირდაპირი და შებრუნებული ტიტვრით. პირდაპირ ტიტვრას იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც რეაქცია საანალიზო ნივთიერებასა და სტანდ. ხსნარს შორის სწრაფად და სტექიომეტრიულად მიმდინარეობს, შებრუნებულ ტიტვრას (ანუ ტიტვრას ნაშთის მიხედვით) კი, მაშინ, როდესაც რეაქცია საკვლევ ნივთიერებასა და სტანდ. ხსნარს შორის ძნელად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში საკვლევ ნივთიერებას ჭარბად უმატებენ სტანდ. ხსნარს, რ-ის ნაშთის ტიტვრა ხდება რეაქციის სხვა სტანდ. ხსნარით. პროცედურულად შებრუნებული ტიტვრის ანალოგიურია ჩანაცვლებითი ტიტვრა, რ-ითაც მაშინ სარგებლობენ, როდესაც მოცემული ნივთიერების უშუალო განსაზღვრა გაძნელებულია (არ არსებობს სათანადო ტიტრანტი, არ არის აუცილებელი ინდიკატორი და სხვ.). ამ შემთხვევაში საანალიზო ნივთიერება სათანადო რეაგენტებთან ერთად გარდაიქმნება სხვა ნაერთად, რ-საც გამოტიტრავენ ჩვეულებრივი წესით.

ტ. ა-ში წყლის გარდა იყენებენ ორგ. გამხსნელებსაც. ნახშირწყალბადებს, მათ ჰალოგენნაწარმებს, სპირტებს, კეტონებს, მჟავებს, ნიტრილებს და სხვ.

ტიტული (ლათ. titulus — წარწერა; სახელწოდება), 1. ფეოდალურ ან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საგვარეულო ან ნაბრძები ოფიციალური სახელი ან საპატიო წოდება; მიანიშნებს პრივილეგიურობაზე, მოითხოვს სათანადო მიმართვას (თქვენო აღმატებულებავ, ბრწყინვალებავ, უწმინდესობავ); 2. იურიდ. რაიმე უფლების საფუძველი; განსაკუთრებული ქვედანაყოფი ცალკეულ კოდექსებსა და კანონებში; 3. ეკონ. კაპ. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის დასახელება იმ ობიექტების მიხედვით, რ-ებიც სატიტულო სიებშია შეტანილი.

ტიტული (ლათ. titulus — წარწერა, სათაური), სატიტულო ფურცელი, თავფურცელი, წიგნის პირველი გვერდი (გვერდები), რ-ზეც დაბეჭდილია გამოცემის ყველა ძირითადი ცნობა: წიგნის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, წელი და სხვ. ტ. შეიძლება იყოს ანაწყობი, რეპროდუქციული და კომბინირებული. სტრუქტურის მიხედვით იგი ორგვარია: ცალმაგი და ორმაგი (განაშალიანი). ცალმაგ ტ-ს უკავია წიგნის პირველი გვერდი. მის განაშალზე (ტ-ის მარცხნივ) შეიძლება მოთავსდეს ფრონტისპისი — ნახატი, რ-იც ასახავს წიგნის ხასიათს, მისი გმირის ან ავტორის პორტრეტს. განაშალიან ტ-ს უმეტესად იყენებენ მრავალტომიან გამოცემაში. იგი მოიცავს გაშლილი წიგნის 2 მეზობელ გვერდს (მარცხენა გვერდს კონტრტიტულს უწოდებენ). ზოგჯერ ასეთ ტ-ს წინ უსწრებს ავანტიტული — წიგნის საწყისი გვერდი. ძვ. წიგნებში იყენებდნენ აგრეთვე შმუცტიტულს — დამატ. ტ-ს, რ-იც გაჭუჭყიანებისაგან იცავდა მთავარ ტ-ს.

ტიტუსი ფლავიუს ვესპასიანე (Titus Flavius Vespasianus) (30. XII. 39 — 13. IX. 81), რომის იმპერატორი 79-იდან. იმპ. ვესპასიანეს ძე. სამხ. ტრიბუნი გერმანიასა და ბრიტანეთში, შემდეგ ლეგატი მამის ჯარში, რ-იც იუდეის აჯანყებას ახშობდა. ვესპასიანეს იმპერატორად არჩევის შემდეგ მთავარსარდლად დანიშნეს, აჯანყება ჩაახრო, იერუსალიმი აიღო და დაანგრია (70). 73 — 79 მამის თანამმართველი იყო. საქმიანი, ენერგიული, ქველმოქმედი მოღვაწეობისათვის თანამედროვეებმა მას „ადამიანთა მოდგმის სიყვარული და სიხარული“ (amor et delicae generis humani) უწოდეს. მან დაასრულა მამის დროს დაწყებული კოლოსეუმი, ააშენა თერმები. მის დროს (79 წ. 24 აგვ.) ვეზუვის ამოფრქვევამ დააქცია ქ-ები — პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბიუმი.

ლ. სანიკიძე.

ტიუბინგენი (Tübingen), ქალაქი გფრ-ში, ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში, მდ. ნეკარის ნაპირზე. 72,4 ათ. მცხ. (1980). სარკინიგზო კვანძი. ლითონდამუშავება, ზუსტი მანქანათმშ., ელექტროტექ., საფეიქრო მრეწველობა. უნ-ტი (1477).

ტიუბინგენის სკოლა, მიმართულება გერმანულ პროტესტანტულ თეოლოგიაში, განვითარდა ქ. ტიუბინგენის უნ-ტში (სახელწოდებაც აქედან წარმოსდგება). ტ. ს-ის პირველი პერიოდი (1777—97) კ. შტორის მოღვაწეობას უკავშირდება. ხასიათდებოდა სუპერნატურალიზმის განმანათლებლურ ტენდენციებთან შეთავსებით, 1830 წარმოიქმნა ე. წ. ახ. ტ. ს., რ-იც დაარსა ჰეგელიანელმა ფ. ბაურმა. ამ სკოლის მიმდევრები ცდილობდნენ ახალი აღთქმის ტექსტებში გამოეკვლიენებინათ დაპირისპირებულ ტენდენციათა დიალექტიკა და დაიწყეს მათი კრიტიკა, რამდენადაც ეს თეოლ. სკოლის წარმომადგენლებისათვის იყო შესაძლებელი. სწორედ ტ. ს-ის წარმომადგენლების შრომებში გამოიკვეთა პირველად ბიბლიის კრიტიკა, რაც მოგვიანებით მითოლ. სკოლამ აითვისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. შტრაუსისა და ბ. ბაუერის შრომები, რ-ებმაც უშუალო გავლენა მოახდინეს ფ. რენანზე, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყ. ლიბერალ გერმ. თეოლოგებზე. ამ შრომათა მასალები ფართოდ გამოიყენა ფ. ენგელსმა. ტ. ს-ის წინააღმდეგ გამოდიოდნენ კონსერვატული მიმართულების

თეოლოგები. XIX ს. 60-იან წლებში ტ. ს. დაიშალა.

ტიუბინგი (ინგლ. tubing < tube — მილი), მიწისქვეშა გვირაბების ასაწყობი სამაგრის ელემენტი; წარმოადგენს ორი ან მეტი რგოლური და რადიალური სიხისტის ფიბოების მქონე ცილინდრის სეგმენტს (ნახ.). ტ-ები ერთმანეთს ჭანჭიკებით რომ დაუკავშირონ, ბორტის ფიბოებს ნახვრეტები აქვს; ნახვრეტი აქვს აგრეთვე ქვიშაცემენტის ხსნარის დასაჭირხნად. ტ-ებს ამზადებენ ფოლადისგან, თუჯისა და რკინაბეტონისაგან; იყენებენ უმთავრესად შახტის ჭაურებისა და მეტროპოლიტენის გვირაბების გასამაგრებლად.

ტიუდორები (Tudor), სამეფო დინასტია ინგლისში 1485—1603. შეცვალა *იორკების* დინასტია. ტ-ის დინასტიის დამაარსებელია ჰენრი VII (მეფობდა 1485—1509). სხვა წარმომადგენლები არიან: ჰენრი VIII (1509—47), ედუარდ VI (1547—53), მარიამ I (1553—58), ელისაბედ I (1558—1603). მარიამ I-ის გარდა, ტ. ატარებდნენ თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისათვის სასარგებლო პოლიტიკას (*რეფორმაცია, პროტექციონიზმი*, ზღვაოსნობის განვითარება, ბრძოლა ესპანეთთან და სხვ.). მათი ძალაუფლება აბსოლუტისტური ხასიათისა იყო, მაგრამ უკვე ელისაბედ I-ის მეფობის ბოლო წლებში პარლამენტმა, რ-იც კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარებისას სულ უფრო გამოხატავდა ბურჟ. ოპოზიციის ინტერესებს, დაიწყო ბრძოლა მეფის ხელისუფლების შეზღუდვისათვის. ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა *სტიუარტების* დროს.

ტიუდორი (Tudor) ენტონი (დ. 4. IV. 1909, ლონდონი), ინგლისელი ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი და პედაგოგი. ცეკვას სწავლობდა მ. რამბერთან (1928-იდან). 1930-იდან „ბალეტის კლუბის“ (1934-იდან „ბალე რამბერი“) მოცეკვავე, რეჟისორი და ბალეტმაისტერი. აღიარება მოუტანა დადგმებმა: „იასამნის ბაღი“ (ე. შოსონის მუსიკაზე, 1936) და „ნაწყვლიანი ელეგიები“ (გ. მალერის მუსიკაზე, 1937). 1933—35 ცეკვავდა დასში „უიგ უელს ბალე“. 1938 დააარსა დასი „ლონდონ ბალე“ (ლენგთან, პ. ვან პრაგთან და სხვებთან ერთად), დადგა ბალეტები: უ. შუმენის „წყალქვეშა დინებები“, „რომეო და ჯულიეტა“ ფ. დილაუსის მუსიკაზე და სხვ. 1949—50 და 1963—64 ხელმძღვანელობდა შვეიციის სამეფო ბალეტს, 1951—52 „ნიუ იორკ სიტი ბალეს“. დასისთვის დადგა ბალეტები: „ქალი კამელიებით“ (ვერდის მუსიკა) და „დიდება“ (ბეთჰოვენის მუსიკა), ბალეტებს დგამდა მსოფლიოს სხვადასხვა საბალეტო დასებისათვის. ტ-ის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თანამედროვე ბალეტზე.

ტიუილრი (Tuileries), სასახლე პარიზში, საფრანგეთის მეფეების ერთ-ერთი რეზიდენცია, ლუვრის კომპლექსის ნაწილი. 1789 საფრ. დიდი რევ. დროს ლუი XVI იძულებული გახდა დაეტოვებინა ვერსალი და თავისი რეზიდენცია ტ-ში გადაეტანა. 1792 წ. 10 აგვ. აჯანყებულებმა ტ. აიღეს და მონარქია დაამხეს. 1792—95 ტ-ში შეიკრიბა *კონვენტი*, 1795—99 — ხუთასთა საბჭო. *თებერვლის რევოლუციის* (1848) დროს ხალხმა იერიშით აიღო ტ. (24 თებ.). 1871 წ. 24 მაისს კომუნარებსა და ვერსალელებს შორის ბრძოლის დროს ტ-ის დიდი ნაწილი დაიწვა. მის ადგილზე ახლა პარიზის ერთ-ერთი საუკეთესო ბაღია.

ტიულენევი ივანე ვლადიმერის ძე [დ. 16 (28). I. 1892, სოფ. შატრაშანი, ახლანდ. ულიანოვსკის ოლქი, — 15. VIII. 1978, მოსკოვი], საბჭ. მხედართმთავარი, არმიის გენერალი (1940), საბჭ. კავშირის გმირი (21. II. 1978). სკკპ წევრი 1918-იდან. I მსოფლიო ომის (1914—18) მონაწილე. 1917-იდან წითელ გვარდიაში იყო. სამოქალაქო ომში (1918—20) აღმ., სამხრ. და დას. ფრონტებზე მეთაურობდა ოცეულს, ესკადრონს, კავალერიის ბრიგადასა და დივიზიას. 1931-იდან საბასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა ცენტრ. აპარატში, იყო ამიერკავკ. სამხ. ოლქის ჯარების სარდალი. დას. უკრ. განთავისუფლების (1939) დროს სარდლობდა მე-12 არმიას. დიდ სამამულო ომში (1941—45) სამხრეთის (1941 — ივნ.-აგვ.), სარეზერვო ფრონტებისა და 28-ე არმიის (1941 ნოემბ.-1942 თებ.), ამიერკავკ. ფრონტის (1942 მაისიდან ომის დასასრულამდე) ჯარების სარდალი. ომის შემდეგ საბასუხისმგებლო თანამდებობებზე იყო თავდაცვის სამინისტროს აპარატში. სკპ (ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1941—52). სსრკ II მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. შეჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 8 სხვა ორდენითა და მედლებით, აგრეთვე უცხ. ორდენებით.

ტიუთჩევი ალექსანდრე ივანის ძე [12 (24). VIII. 1880, პეტერბურგი,—1. VI. 1959, ლენინგრადი], ძვ. ისტორიის საბჭოთა მკვლევარი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1932). დაამთავრა პეტერბ. უნტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1904). 1928—31 კომუნისტური აკად. ლენინგრ. განყ-ბის მეცნ.-თანამშრომელი, 1931 — 38 მატერ. კულტურის ისტორიის სახელმწ. აკად. მეცნ. თანამშრომელი. ტ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება ანტ. და ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: **История античных рабовладельческих обществ**, М.—Л., 1935; **Очерки экономической и социальной истории Древней Греции**, т. 1—3, П., 1920—22; **Теория исторического материализма**, СПб., 1907.


ლიტ.: А. И. Тюменев (1880—1959). М., 1962.

ტიუმენი, ქალაქი, რსფსრ ტიუმენის ოლქის ცენტრი, მდ. ტურის (ტობოლის შენაკადი) ორივე ნაპირზე. უმნიშვნელოვანესი სატრანსპ. კვანძი. სამდ. ნავსადგური. 397 ათ. მცხ. (1983). ტ. პირველი რუსული ქალაქია ციმბირში. დაარსდა 1586. 1709-იდან ციმბ. გუბ., 1782-იდან ტობოლსკის სამეფისნაცვლოს შემადგენლობაშია. 1796-იდან ტობოლსკის გუბ. სამაზრო ქალაქია. ტ. მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი იყო ციმბრის ჩინეთთან სავაჭრო გზებზე. 1905 დამდეგს ტ-ში შეიქმნა ს.-დ. ჯგუფი. საბჭ. ხელისუფლება გამოცხადდა 1918 წ. 5 (18) იანვარს. 20 ივლ. ხელთ იგდეს თეთრჩეხ-სლოვაკებმა და თეთრგვარდიელებმა. 1919 წ. 8 აგვ. გაათავისუფლა წითელმა არმიამ. 1944-იდან ტ. საოლქო ცენტრია.

განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება (გემთსაშენი ბრაგების, გემთსარემონტო, ელექტრომექან., აკუმულატორების, სამშ. მანქანების, ხელსაწყოთა-შენი, სამედ. მოწყობილობის და სხვა ქ-ნები), ხე-ტყის (ხე-ტყის დასამუშ., ფირფიცრის, ავეჯის საწარმოები), ქიმ., სამშენ მასალათა, მსუბუქი (მაუდ-კამოლის კომბინატი, ბეწვეულის, საქსოვი, სამკერვალო, ფეხსაცმლის და სხვა ფ-კები) და კვების მრეწველობა.

ტ-ში არის 5 უმაღლესი სასწავლებელი (მ. შ. უნ-ტი), 7 სამ. სპეც. სასწავლებელი, ნავთობისა და აირის მრეწვ. სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტები. საოლქო დრამ. თეატრი, თოჯინების თეატრი, ფილარმონია, ცირკი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სურათების გალერეა.

ტიუმენის ოლქი, შედის რფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1944 წ. 14 აგვ. ჩრდით აკრავს კარის ზღვა. მოიცავს ხანტი-მანსისა და იამალ-ნენთა ავტ. ოკრუგებს, თეთრ, ირმის, სიბირიაკოვის, ვილკიცკის, შოკალსკისა და ნეუპოკოევის კ-ებს. ფართ. 1435,2 ათ. კმ². მოსახლ. 2293 ათ. კაცი (1983), აქედან 69% ქალაქში ცხოვრობს. ცენტრი — ქ. ტიუმენი. ტ. ო-ის ტერიტ. მდებარეობს დას. ციმბირის ვაკის ფარგლებში, 285 მ სიმაღლემდე. ბევრია ტბა და ჭაობი. 1950—60-იან წლებში აღმოჩენილია ნავთობისა და აირის საბადოები (*დასავლეთ ციმბირის ნავთობ-აირის აუზი*). ურალის აღმ. კალთაზე იღებენ მურა ნახშირს, რკინისა და სხვა მადანს, საშენ ქვიშას. მთავარი მდ-ებია ობი უდიდესი შენაკადით ირტიშით, ტაზი, პური, ნადიმი. ოლქის ეკონ. საფუძველს წარმოადგენს ნავთობქიმ. მრეწველობა. ნავთობის მოპოვებით ტ. ო-ს პირველი ადგილი უკავია სსრკ-ში. მთავარი საბადოებია სამოტლორის (ნავთობი), ურენგოისა და მედვეჟიეს (აირი). ოლქში განვითარებულია აგრეთვე მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, გემთმშენებლობა, სატყეო, ხის დასამუშ., თევზის, საშენ მასალათა, მსუბუქი მრეწველობა. სოფ. მეურნ. მეცხოველეობა-მერძევეობის მიმართულებისაა. მოჰყავთ ხორბალი, კარტოფილი, ბოსტნეული, საკვები კულტურები. მეცხოველეობა სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ცხვარს, თხას, ღორს, ჩრდ. რ-ნებში — ირემს. მნიშვნელოვანია ბეწვეულის რეწვა, ნადირთმოშენება. სახაოსნო მდ-ები: ობი, ირტიში, ტობოლი. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967) (რუკა იხ. გვ. 730).



ტიუბინგი.

ტიუმენის უნივერსიტეტი, დაარსდა 1973 ტიუმენის აკად. ინ-ტის ბაზაზე. მის შემადგენლობაში იყო (1980): მათ., ფიზ., ქიმია-ბიოლ., გეოგრ., ისტორია-ფილოლ., რომანულ-გერმ. ფილოლ., ეკონ. ფაკ-ებები; ასპირანტურა, დაუსწრებელი სწავლებისა და მოსამზადებელი განყ-ბები, 37 კათედრა, სამეცნ.-კვლ. სექტორი, გამოთვლითი ცენტრი, აგრობიოსადგური თავისი ბოტან. ბაღით. ბ-კა (350 ათ. ტ.). სწავლობდა 5 ათ-მდე სტუდენტი, მუშაობდა 400 მასწავლებელი და მეცნიერი მუშაკი, მ. შ. 12 მეცნ. დოქტორი და პროფესორი და 140 მეცნ. კანდიდატი და დოცენტი.



ი. ტიულენევი.

ტიუნგი, მდინარე იაკუტ. ასსრ-ში, მდ. ვილიუის მარცხ. შენაკადი (ლენის აუზი). სიგრძე 1092 *კმ*, აუზის ფართ. 49800 *კმ²*. სათავე აქვს შუა ციმბირის ზეგანზე. მიედინება ცენტრ. იაკუტიის ვაკეზე. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი 180 *მ³/წმ*. იყინება ოქტ-ში, ყინულბერვაა მაისის II ნახევარსა და ივლ. დასაწყისში.

ტიურგო (Turgot) ან რობერ ჟაკ (10. V. 1727, პარიზი, — 20. III. 1781, იქვე), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოს-განმანათლებელი და ეკონომისტი. სორბონის უნ-ტის თეოლ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ უარი თქვა სას. კარიერაზე. ფინანსთა გენ. კონტროლიორის პოსტზე ყოფნისას (1774—76) გაატარა მთელი რიგი ანტიფეოდ. რეფორმები: პურის ვაჭრობის შეზღუდვის აკრძალვა, გილდიების გაუქმება და სხვ. ტ-ს რეფორმებმა გამოიწვია პრივილეგიური წოდების უკმაყოფილება და მისი გადაყენების შემდეგ ეს რეფორმები გააუქმეს. ტ-ს ფილოს. შეხედულებები ჩამოყალიბდა ფრანგ განმანათლებელთა გავლენით, რ-ებთანაც ის თანამშრომლობდა დ. *დიდროსა* და დ'ალამბერის „ენციკლოპედიაში“. მატერიალ. და სენსუალისტურ შეხედულებებთან ერთად ტ. აღიარებდა ღმერთს — შემოქმედს, როგორც ყოფიერების პირველწყაროს. მან *კონდორსეზე* ადრე შექმნა საზ. პროგრესის რაციონალისტური თეორია. ტ-მ პირველმა ჩამოაყალიბა კულტ. პროგრესის 3 სტადია: რელიგიური, სპეკულატური და მეცნიერული, პირველმა მიაქცია ყურადღება კლასობრივ საზ-ბაში წარმოების საშუალებებზე საკუთრების არსებობის მნიშვნელობას. კ. მარქსის თქმით, ტ. იყო ერთ-ერთი ინტელექტუალური გმირი, რომელმაც ძველი რეჟიმი დაამხო (**Маркс К. и Энгельс Ф.**, Соч., 2 изд., т. 15, с. 384).

ტიურინგი (Turing) ალან მეთისონ (23. VI. 1912, ლონდონი,—7. VI. 1954, უილ-



ი. ტიურინი.

მზლოუ, მანჩესტერის ახლოს), ინგლისელი მათემატიკოსი და კიბერნეტიკოსი, თანამედროვე უნივერსალური ავტომატების თეორიის ფუძემდებელი და უნივერსალური გამომთვლელი მანქანის ერთ-ერთი პირველი პროექტის ერთი პირველთაგანი ავტორი. ინგლ. სამეფო საზ-ბის წევრი (1951). დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (1935). 1939—45 იყო ბრიტანეთის საგარეო სამსახურის თანამშრომელი, 1945—48—ეროვნული ფიზ. ლაბორატორიისა, ხოლო 1948—54 — მანჩესტერის უნ-ტისა. მათ. ლოგიკის დარგში მუშაობისას შექმნა ავტომატის აბსტრაქტული სქემა, ე. წ. *ტიურინგის მანქანა*, რ-საც პრინციპულად შეუძლია ნებისმიერი *ალგორითმის* რეალიზაცია. ტ-ის ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ავტომატებისა და ალგორითმების თეორიაში.

თხზ.: Может ли машина мыслить?, М., 1960.

ტიურინგის მანქანა, სახელწოდება ზოგიერთი ზუსტად დახასიათებული ტიპის აბსტრაქტული „გამომთვლელი მანქანებისა", რ-ებიც იძლევიან ალგორითმის ცნების ზოგადი ინტუიციური წარმოდგენის მათემატიკური განხილვისათვის საჭირო დაზუსტებას. ასეთი სახის მანქანების კონცეფცია ჩამოყალიბდა XX ს. 30-იანი წწ. შუა ხანაში ა. *ტიურინგის* მიერ (ადამიანის მიერ ჩატარებული მოქმედების ანალიზის საფუძველზე).

ტ. მ. შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ავტომატურად მოქმედი მოწყობილობა, რ-საც შესწევს უნარი იყოს სასრული რაოდენობის შინაგან მდგომარეობაში და რ-საც აქვს უსასრულო გარე მეხსიერება — ლენტი. მდგომარეობებს შორის გამოყოფილია ორი: საწყისი და საბოლოო. ლენტი დაყოფილია უჯრებად და არ არის შემოსაზღვრული მარცხნიდან და მარჯვნიდან. თითოეულ უჯრედში შეიძლება ჩაიწეროს ნებისმიერი სიმბოლო, რ-იც შედის რომელიღაც წინასწარ დასახელებულ ნუსხაში (სიმარტივისათვის გულისხმობენ, რომ ცარიელ უჯრედში ჩაწერილია „ცარიელი ასო"). დროის ყოველ მომენტში ტ. მ. არის ერთ-ერთ თავის მდგომარეობაში და აღიქვამს თავის რომელიმე უჯრედში ჩაწერილ სიმბოლოს.



თ. ტიუტჩევი.


ტიურინი ივანე ვლადიმერის ძე [21. X (2. XI). 1892, მენზელინსკი, ახლანდ. თათრ. ასსრ, — 12. VII. 1962, მოსკოვი], საბჭ. ნიადაგთმცოდნე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). 1919 დაამთავრა პეტროვსკოეს სას.-სამ. აკადემია (ახლანდ. კ. ტიმირიაზევის სახ. მოსკ. სას.-სამ. აკადემია). 1919—30 მუშაობდა (1928-იდან პროფესორი) ყაზანის უნ-ტსა და ყაზანის სას.-სამ. და მეტყევეობის ინ-ტში. 1930—41 და 1944—51 ლენინგრ. სატყეო-ტექ. აკად. და 1944—52 ლენინგრ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორია. ერთდროულად მუშაობდა ნიადაგის ინ-ტშიც (1949—62 დირექტორი). ტ-ის ძირითადი შრომები ეხება ნიადაგის გენეზისს, აგროსაწარმოო თვისებებს, კერძოდ, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებასა და ჰუმუსის გამოკვლევის პრობლემებს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სხვა ორდენითა და მედლებით.

ტიურო-დანჟენი (Thureau-Dangin) ფრანსუა (3. I. 1872, პარიზი, — 24. I. 1944, იქვე), ფრანგი ასირიოლოგი და შუმეროლოგი, შუმეროლოგიის ფუძემდებელი. წარწერათა აკად. წევრი (1917-იდან), ლუვრის აღმოსავლურ სიძველეთა მთავარი მცველი. გამოირჩეოდა ენციკლოპედიური ცოდნით. გამოაქვეყნა შრომები მესოპოტამიის ისტ. შესახებ არქ. პერიოდიდან ელინისტურ ხანამდე. გამოცემული აქვს ლურსმული კულტ. თითქმის ყველანაირი ძეგლი.

თხზ.: **Recherches sur l'origine de l'écriture cunéiforme, [v. 1—2], P., 1898—99; Les inscriptions de Sumer et d'Akkad, P., 1905; La correspondance de Hammurapi avec Šamaš-hâsir, «Revue d'assyriologie et d'archéologie orientale», 1924, v. 21, № 1—2.**

ტიუტჩევი თედორე ივანეს ძე [23. XI (5. XII). 1803, სოფ. ოვსტუგი, ახლანდ. ბრიანსკის ოლქი, — 15 (27). VII. 1873, ცარსკოე-სელო, ახლანდ. ქ. პუშკინი, ლენინგრ. ოლქი], რუსი პოეტი. პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1857). მოსკ. უნ-ტის დამთავრების შემდეგ, 1822—39, მსახურობდა რუს. დიპლომატიურ მისიებში გერმანიასა და იტალიაში. 1844 დაბრუნდა სამშობლოში, მსახუროობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. პირველი ლექსები 1813—14 დაწერა. ტ-ის პოეზია ფართოდ გახმაურდა 1836-ის შემდეგ, როცა ა. პუშკინმა „სოვრემენნიკში" გამოაქვეყნა მისი ლირ. ციკლი. სიცოცხლეში ლექსთა 2 კრებული გამოსცა (1854, 1868). ტ-ის 20-იანი წწ. თავისუფლებისმოყვარეობით გამსჭვალულ ლირიკას შემდგომში კონსერვატორული მოტივები შეენაცვლა, მაგრამ პოეტი მაინც ოპოზიციურად იყო განწყობილი მეფის ხელისუფლებისა და მაღალი საზ-ბის მანკიერებათა მიმართ. ტ. რუს. პოეზიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ოსტატია. მისი ლრმააზროვანი ფილოს. ლირიკა გამოხატავს ობიექტური რეალობისა და ინდივიდ. ყოფიერების ურთიერთმიმართების ურთულეს ასპექტებს.

თხზ.: Лирика, т. 1—2, М., 1966; [წგნში]: ნადირაძე კ., რუსი პოეტები, თარგმანები, თბ., 1959; რუსი მწერლები, თბ., 1959.



ტიფი (ბერძნ. typhos — კვამლი, ბურუსი, ცნობიერების დაბინდვა), ინფექციური გადამდები დაავადება, რ-საც ახასიათებს ძლიერი ცხელება და ცნობიერების მოშლა. ამ ტერმინს იყენებენ მთელი რიგი მწვავე ინფექციების აღსანიშნავად, რ-ებსაც აქვთ ზოგიერთი მსგავსი გამოვლინება, მაგრამ განსხვავებული ეტიოლოგია. იხ. *მუცლის ტიფი, პარატიფი, პარატიფიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი.*

ტიფი ფრინველისა, ქათმისნაირთა (უმთავრესად ქათმისა და ინდაურის) მწვავე ინფექციური დაავადება, რ-საც იწვევენ მიკროორგანიზმები Salmonella gallinarum და Salmonella pullorum, რეგისტრირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სსრკ-ში — სამხრ. რ-ნებში. უმთავრესად ავადდება მოზარდეული. ინფექციის აღმძვრელის წყაროა დაავადებული ან დაავადებაგადატანილი ფრინველი, რ-იც განავალთან ერთად ბაქტერიებსაც გამოყოფს. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ანტიბიოტიკები, ნიტროფურანისა და სულფანილამიდური პრეპარატები. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ფრინველთა გამოკვლევა აგლუტინაციის

რეაქციით, ვეტსანიტარიული ღონისძიებანი, დეზინფექცია.

„ტფილისსკია ობიავლენია“, რუსული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1878—85; დამაარსებელი და პირველი რედ. იყო ს. ბაღათუროვი (1878—79), შემდეგ რედაქტორებად მუშაობდნენ ვ. ალიხანოვი (1880—83), ი. პოპოვი (1884—85). იბეჭდებოდა განცხადებები, რეკლამები, სანქტ-პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს შეტყობინებანი და სხვ.

„ტფილისსკი ვესტნიკ“, რუსული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1873—82, 1906. 1877-მდე გამოდიოდა კვირაში 3-ჯერ, შემდეგ—ყოველდღიურად. რედაქტორი—ლიუბოვნიკოვი, დაარსა კ. ბებუთოვმა. თანამშრომლობდნენ ნ. ნიკოლაძე, დ. ერისთავი, პ. იზმაილოვი, ი. გოგებაშვილი და სხვ. 1881 და 1882 გამოვიდა მხოლოდ თითო ნომერი. 1882 გამოცემა შეწყდა. განახლდა 1906. 1 თვის შემდეგ დაიხურა.

„ტფილისსკი ლისტოკ“, რუსული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1886—1919; გამოიცა როგორც გაზ. „*ტფილისსკოე ობიავლენიას*“ გაგრძელება. ძირითადად იბეჭდებოდა ქრონიკა და ახ. ამბები. 1918-იდან გაზეთი გამოდიოდა როგორც პროგრ.-დემოკრ. მიმართულების უპარტიო გამოცემა.

„ტფილისსკი პროლეტარი“, არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ თბილისის კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1910 ქართ. და რუს. ენებზე. გამოვიდა 2 ნომერი [5 (18) იანვარსა და 1(14) მარტს]. გაზეთი მოუწოდებდა მშრომელებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ.

ტიფლოპედაგოგიკა (ბერძნ. typhlos—ბრმა და *პედაგოგიკა*), *დეფექტოლოგიის* დარგი, რ-იც ამუშავებს (მხედველობადარღვეულ, უსინათლო, ნაწილობრივმხედველ, სუსტადმხედველ, უსინათლო ყრუ-მუნჯ) ბავშვთა სწავლების, აღზრდის, განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის მომზადების საკითხებს.

სსრკ-ში მხედველობადარღვეულ ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლებისათვის გასხსნილია ზოგადსაგანმან. საშ. და რვაწლიანი სპეც. სკოლა-ინტერნატები (უსინათლო და სუსტადმხედველ ბავშვთათვის ცალკე სკოლებია). სრული საშ. განათლების მიღების შემდეგ მათ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. აღნიშნულ სკოლებში სწავლების მიზნები, ამოცანები, შინაარსი და დიდაქტ. პრინციპები იგივეა, რაც ჩვეულებრივ ზოგადსაგანმან. სკოლაში, მაგრამ ითვალისწინებს მხედველობადარღვეულ ბავშვთა განვითარებისა და სწავლების სპეციფ. თავისებურებებს.

უსინათლო ბავშვთა სკოლებისათვის სახელმძღვანელოები იბეჭდება რელიეფური *ბრაილის შრიფტით*, ხოლო სუსტადმხედველ ბავშვთათვის — ჩვეულებრივი მსხვილი შრიფტით.

Ტ. ამუშავებს სწავლებისა და განათლების შინაარსს, მათი სრულყოფის გზებს, სწავლების მეთოდებსა და ორგანიზაციულ ფორმებს, ბავშვთა დიფერენცირებული სწავლებისა და აღზრდის საკითხებს, სპეც. სასწ. დაწესებულების სტრუქტურას, სპეც. სასწ. გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენის მეცნ. საფუძვლებს, სწავლების კერძო მეთოდიკებს, არასრულფასოვანი მხედველობის დაცვისა და რაციონალური გამოყენების ჰიგიენურ ღონისძიებებს (სპეც. სკოლებში განათლების ნორმატივები, მოსწავლეთა მხედველობითი დატვირთვის რეჟიმი, სპეც. შენობათა დაპროექტების ჰიგიენური საფუძვლები და ა. შ.). Ტ-ის ამოცანაა სპეც. ტექ. საშუალებების შექმნა (იხ. *ტიფლოტექნიკა*); სპეციალურად წარმართული კორექციულ-პედ. მუშაობით მხედველობადარღვეულ ბავშვთა ფსიქ. და ფიზ. განვითარებაში აღმოცენებული მეორადი გადახრების დაძლევა და პროფილაქტიკა, დარღვეული მხედველობის კორექცია და კომპენსაცია. სწავლების პროცესში წამყვანია აზროვნების, მეტყველების, ლოგიკური მეხსიერების, აქტ. ყურადღების, დაკვირვების, სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარება.

1893 თბილისში გაიხსნა უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონატი, რ-ის ბაზაზე საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი შეიქმნა და იგი რესპუბლიკაში უსინათლო ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ძირითად კერად იქცა. ბოლო წლებში მას გამოეყო თბილ. სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი. Ტ-ის დარგში სამეცნ.-კვლ. მუშაობა გაშლილია საქ. სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ხოლო სპეც. სკოლებს მეთოდურ დახმარებას უწევენ სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლებისა და სპეც. სკოლა-ინტერნატების რესპ. მეთოდკაბინეტი. სპეც. სკოლადამთავრებული მხედველობადარღვეული ახალგაზრდები მუშაობენ უსინათლოთა საზ-ბის საწარმოებში. უსინათლოთა საზ-ბა სცემს ჟურნალ „სინათლეს“, რ-შიც იბეჭდება პედ. ხასიათის წერილები. გ. *ყოლბაია.*

ტიფლოტექნიკა, სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთმშენებლობის დარგი. *ბრაილის შრიფტით* წერისა და კითხვისათვის შექმნილია ხელსაწყოები და სპეც. საბეჭდი მანქანები, იყენებენ აგრეთვე ხმის ჩამწერ აპარატურას. არასრულფასოვანი მხედველობისას იყენებენ სხვადასხვაგვარ ლინზას, საპროექციო აპარატს, სპეც. საკითხავ ხელსაწყოს. ჩვეულებრივად ნაბეჭდი წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების წასაკითხად შექმნილია მანქანები, რ-ებიც ასოებს გარდაქმნიან სმენით, შეხებით და შეხებით-ვიბრაციულ სიგნალებად, რ-თა აღქმა უსინათლოს შეუძლია. სპეც. აპარატურა საშუალებას იძლევა მხედველობითი სიგნალების სმენითად გარდაქმნის გზით უსინათლოებმა აღიქვან გარეშე საგნები, მოვლენები და პროცესები (ხეების, შენობების, მთების სილუეტები) ახლო და შორი მანძილიდან. იმავე აპარატით მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ კლასში ჩატარებულ ლაბორ. და პრაქტ. მუშაობას. გ. *ყოლბაია.*

ტიფლოფსიქოლოგია, იხ. *უსინათლოთა ფსიქოლოგია.*

ტიფონი (Typhön, Typhös<ბერძნ. typhōs—ბოლი, კვამლი), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში გველისფეხება, ასთავიანი, შემზარავხმიანი ურჩხული, ქვესკნელის სტიქიურ ძალთა განსახიერება; გეას და ტარტაროსის ძე. ზევსს შეება ერთპიროვნული ბატონობისათვის, მაგრამ ზევსმა საბოლოოდ სძლია, ჰეკატონქეირების ნაჭედი მეხით დაამხო, ტარტაროსში ჩააგდო და ეტნის მთა დააფარა (ვულკანის ახსნა). Ტ-ის სისხლისაგან იშვა დრაკონი, რ-იც ოქროს საწმისს დარაჯობდა კოლხეთში. მითების გეიანდ. ვერსიით, Ტ-ის შიშით ღმერთები ეგვიპტეში გაიქცნენ და ზოგიერთმა ცხოველის სახეც მიიღო. საბოლოოდ ბერძნებმა უდაბნოს ეგვ. ბოროტ ღვთაება სეთისთან გააიგივეს. Ტ. ტაიფუნის, წყვდიადის სინონიმად იქცა. ა. *გელოვანი.*

ტიშბაინები (Tischbein), გერმანელ მხატვართა ოჯახი: **ავგუსტ** (იოჰან ფრიდრიხ ავგუსტ) Ტ. (9. III. 1750, მაასტრიხტი, ჰოლანდია, — 21. VI. 1812, ჰაიდელბერგი), ფერმწერ-პორტრეტისტი, კლასიციზმის წარმომადგენელი. სწავლობდა ბიძასთან, იოჰან ჰაინრიხ Ტ-თან. მუშაობდა გერმ. სხვადასხვა ქალაქში, საფრანგეთში (1772—77), ჰოლანდიაში, იტალიაში (1777—80), 1806—08 — პეტერბურგში. მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის სიმკაცრე, რბილი კოლორიტი (ავტოპორტრეტი, 1782, რეიქსმუზეუმი, ამსტერდამი); **ვილჰელმ** (იოჰან ჰაინრიხ ვილჰელმ) Ტ. (15. II. 1751, ჰაინა, ჰესენი, — 26. VI. 1829, ოიტინი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი), ფერმწერი, კლასიციზმის წარმომადგენელი. მეგობრობდა გოეთესთან. მუშაობდა იტალიაში (1779—99), კასელში (1799—1800) და ჰამბურგში (1801—08). XVIII—XIX სს. მიჯნაზე დაუახლოვდა რომანტიზმს. ქმნიდა ისტ. სურათებს („კონრადინ შვაბიელი სიკვდილით დასჯის წინ“, 1784, ციხესიმაგრის მუზეუმი, გოთა), პორტრეტებს, იდილიურ პეიზაჟებს.



ვ. ტიშბეინი.

ტიშბეინი ვიაჩესლავ ევგენის ძე [7 (19). VIII. 1861, პეტერბურგი,—25. II. 1941, ლენინგრადი], საბჭოთა ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935). პეტერბ. უნ-ტის დამთავრების შემდეგ (1884) მუშაობდა იქვე დ. *მენდელეევის* ასისტენტად; 1891-იდან პეტერბ. (შემდეგ ლენინგრ.) უნ-ტში კითხულობდა კურსს ტექ. და ანალიზური ქიმ. სხვადასხვა დარგში. 1934-იდან იყო ლენინგრ. უნ-ტთან არსებული სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. Ტ-ს ძირითადი შრომები მიძღვნილია სკიპიდრის, ძივთის, კუბური ფისისა და სხვ. შედგენილობის კვლევებისადმი. წამოაყენა სკიპიდრიდან ქაფურის სინთეზის სამრეწვ. მიღების ხერხი. თანამშრომლებთან ერთად წამოაყენა ფაიფურისთვის საღებავის („თხევადი ოქრო“) დამზადების მეთოდი; დაამუშავა ზღვის წყალმცენარეებისაგან იოდის მიღების ტექნოლოგია; აღმოაჩინა *ტიშჩენკოს რეაქცია* (1906). სსრკ სახელმწ. პრემია (1941).

ტიშჩენკოს რეაქცია, რთული ეთერების წარმოქმნა ალიფატურ და ჰეტეროციკლურ ალდეჰიდებზე ალუმინის ალკოჰოლატების მოქმედებით:

$$2RCHO \xrightarrow{(R'O)_3Al} RCOOCH_2R$$

(R—ალკილი ან არილი),

Ტ. რ-ს იყენებენ რთული ეთერების მისაღებად; აღმოაჩინა ვ. *ტიშჩენკომ* 1906.

ტიჩინა პავლო გრიგოლის ძე [15 (27). I. 1891, სოფ. პესკი, ახლანდ. ჩერნიგოვის ოლქი, — 16. IX. 1967, კიევი], უკრაინელი საბჭ. პოეტი, საზ. მოღვაწე, უკრ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1929). სოციალ. შრომის გმირი (1967). სკკპ წევრი 1944-იდან. სამწერლო ასპარეზზე 1912 გამოვიდა. ლექსების პირველი კრებ. „მზიური პლარნეტები“ 1918 გამოსცა. კრებულებში „გუთანი“ და „სონეტებისა და ოქტავების ნაცვლად“ (ორივე 1920) Ტ. რევოლუციას, სოციალ. მშენებლობას უმღეროდა, ნაციონალისტებს და სამშობლოს მოღალატეებს ამხელდა. მნიშვნელოვანია Ტ-ს ლექსი „პარტია მიგვიძღვის“ (1933). საბჭ. პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის თემა მსჭვალავს კრებულებს „ერთიანი ოჯახის გრძნობა“ (1938; სსრკ სახელმწ. პრემია, 1941), „ფოლადი და სინაზე“ (1941). Ტ. გვიხატავს ა. პუშკინის, მ. გორკის, გ. სკოვოროდას, დ. გურამიშვილის ნათელ სახეებს და გვიღვივებს სიყვარულს მოძმე ხალხებისადმი. დიდ სამამულო ომს მიუძღვნა პოეტური კრებულები „გავიმარჯვოთ და ვიცხოვროთ“! (1942), „დადგება დღე“ (1944), პოემა „მეგობრის დასაფლავება“ (1943). ჩვენს თანადროულობას ეხმიანება Ტ-ს კრებულები „ვიზარდოთ და ვიმოქმედოთ“ (1949), „ჩვენ ჯაკობრიობის სინდისი ვართ“ (1957), „ჩანს კომუნიზმის შორეთი“ (1961) და სხვ. Ტ. შევჩენკოს სახ. პრემიის ლაურეატი (1962). უკრ. კპ ცკ-ის წევრი (1952—59, 60-იდან). სსრკ II—V მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით. ო. *ბაქანიძე.*



პ. ტიჩინა.

ტიციანი. ავტოპორტრეტი. 1560-იანი წლები. ფრაგმენტი. პრადო. მადრიდი.



ტიციანი (ნამდვ. სახელი და გვარი Ტ ი ც ი ა ნ ო ვ ე ჩ ე ლ ი ო, Tiziano Vecellio) (1476/77—80 ან 1488—90, პიევე-დი-კადორე, ვენეცია, — 27. VIII. 1576, ვენეცია), აღორძინების ხანის დიდი იტალიელი მხატვარი. მისმა ხანგრძლივმა, ჟან-



ა. ტიხონოვი.



ბ. ა. ტიხონოვი



ვ. ტიხონოვი.

რობრივად შრავალფეროვანმა შემოქმედებამ (რელიგ., მითოლ., ალეგორიული, ისტ., პორტრეტული) XVI ს. იტალ ფერწერის განვითარების სხვადასხვა საფეხური მოიცვა. სწავლობდა ვენეციური კვატროჩენტოს თვალსაჩინო ოსტატ ჯოვანი ბელინისთან. ტ-ის ადრინდ. ნამუშევრებს („ეგვიპტედ ლტოლვა", 1507, ერმიტაჟი, ლენინგრადი) XV ს ხელოვნ ზეგავლენა ეტყობა 1507—10 მუშაობდა ჯორჯონეს სახელოსნოში; ტ-ის ზოგიერთ სურათს ატყვია კიდეც ჯორჯონეს შემოქმედების კვალი 1510-იან წლებში იგი უმეტესწილად ჯორჯონესაგან განსხვავებულ, უფრო ზეიმურ, სადღესასწაულო კომპოზიციებს ქმნიდა, მისი ფიგურები უფრო ტანადრულია, ფერები – კაშკაშა მსგავსად XVI ს. დასაწყ მაღალი რენესანსის სხვა იტალ. მხატვრებისა, ტ მშვენიერ პეროიკულ სახეებს ქმნის, მაგრამ მას იდეალურ პიროვნებებთან ერთად იზიდავს სიცოცხლის მრავალგვარობაც ტ-ის სურათებში მეტია დინამიკურობა, უფრო ძლიერია შუქ-ჩრდილის დაპირისპირება, მეტადაა გამოკვეთილი გრძნობად-მატერიალური საწყისი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პეიზაჟს, ჟანრულ მოტივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერადოვნებას, კოლორიტს. 1510—30-იანი წწ. ნამუშევრებში წამყვანია თბილი, მოოქროსფრო ტონები. 1510 წ. I ნახ ტილოებიდან („ზეციური და მიწიერი სიყვარული", დაახლ. 1515, ბორჯების გალერეა, რომი), სიდიადე და დიდი შინაგანი ენერგია ეამოსჭვივის; დაახლ 1520 შექმნილი დიდი სურათები იმდენად მონუმენტური და ამავე დროს მოძრავ-პათეტიკურია, რომ XVII ს. ბაროკოს მხატვრობის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ფიგურების ძლიერი დინამიკისა და მკაფიოდ მოწესრიგებული კომპოზიციის შეხამება გამოარჩევს 1516—18 შექმნილ „ასუნტას" („ღვთისმშობლის ამაღლება", სანტა-მარია გლორიოზა დეი ფრარი, ვენეცია), სინათლე და წესრიგი სუფევს ალფონს დ' ესტესთვის შესრულებულ მითოლ სურათებშიც („ვენერას ზეიმი", პრადო, მადრიდი. 1518—28), 1520-იანი წწ. II ნახ. ნაწარმოებებში ამბის დრამატულობაა ხაზგასმული („საფლავს დადება", დაახლ 1525, ლუვრი პარიზი); 1520-იანი წწ. მხატვრობა ხაზგასმულად ზეიმი და მშვიდია („პეზაროს მადონა", 1526, სანტა-მარია გლორიოზა დეი ფრარი, ვენეცია), მათში ამაღლებულ განწყობილებასა და კომპოზ აგების სიმკაცრეს თავისებურად ეხამება ყოველდღიური ყოფის მოტივები. 1530-იან წლებში შეიცვალა ტ-ის ფერწერული ტექნიკა გლუვად დაფენილ ფერს ენაცვლება ფერით ძერწვა; სხვადასხვა მიმართულების განსხვავებული სისქის მონასმები მხატვარს გამოსახული საგნების ზედაპირის თვისებების (ხავერდოვნება, ბზინვა, სილბო) გადმოცემის მეტ საშუალებას აძლევს 1540-იან წლებში ტ. დრამ.-ტრაგიკულ თემებს ირჩევს, ახალი აღთქმა იქნება ეს („ეკლის ეგირგვინის დადგმა" დაახლ 1542, ლუვრი, პარიზი), ძველი აღთქმა („აბრაამის მიერ მსხვერპლის შეწირვა", 1542—44, სანტა-მარია დელა სალუტე, ვენეცია), თუ ანტ. მითოლ. სიუჟეტები („სისიფე", „პრომეთე", 1550 ახლოს, პრადო, მადრიდი). მღელვარების, დაძაბულობის განწყობა მატულობს მომდევნო დროის ნაწარმოებებში („წმ. იერონიმე", დაახლ 1552, ლუვრი, პარიზი), ამავე დროს მრავალ სურათში კელავინდებურად ადამიანის სხეულის მშვენიერებაა გადმოცემული („ვენერა და ადონისი", დაახლ 1555, პრადო, მადრიდი). ამ სახის ნამუშევრები ზოგჯერ 1560-იან წლებშიც გვხვდება („მარიამ მაგდალინელი", დაახლ 1565, ერმიტაჟი, ლენინგრადი), მაგრამ ტ-ის შემოქმედების ბოლო პერიოდისათვის უპირატესად მძაფრი ტრაგიკული განცდაა დამახასიათებელი („წმ. სებასტიანი", 1570 ახლოს, ერმიტაჟი, ლენინგრადი). განსაკუთრებით თავისუფალი გახდა ამ დროისათვის ტ-ის წერის მანერა: ჯერ კიდევ 1550-იან წლებში მისი სურათების კოლორიტი გამუქდა, მონასმი უფრო სწრაფი გახდა, იმატა შუქისა და ფერის კონტრასტმა 1560—70 „გვიანწმ მანერამ" დაავიწროვინა მხატვრის ძიება – ტილოს ზედაპირი მსხვილი, ფართო მონასმებითაა დაფარული, ყოველი ფერი უამრავ ტონს შეიცავს, რაც ციმციმის, ვიბრაციის შთაბეჭდილებას ქმნის. ტ. თავისი ეროის სახელგანთქმული პორტრეტისტია („ხელთათმნიანი ყმაწვილი", 1520, ლუვრი პარიზი, „ელეონორა გონზაგა", დაახლ 1538, უფიცი, ფლორენცია); აღსანიშნავია 2 ავტოპორტრეტიც (დაახლ. 1555, ბერლინის მუზეუმი, 1565, პრადო, მადრიდი) ტ-ის მრავალმხრივმა შემოქმედებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევრ. მხატვრობის შემდგომ განვითარებაზე მის კომპოზიციურსა და ფერწერულ მიღწევებსა და მიგნებებს მრავალი მხატვარი დაფუძნებია, მ. შ. პ რუბენსი, ფ. გოია, ე. დელაკრუა, ე. მანე და სხვ.

ლიტ.: Гурвич И А., Тициан, Л., 1940; Wethey H. E., Paintings of Titian, v. 1—2, L., 1969—71.

დ. თუმანიშვილი.

ილუსტრაცია — იხ ჩანართი II, გვ. 528 II—592.

ტიხვინი, ქალაქი რსფსრ ლენინგრ. ოლქში, მდ ტიხვინკის (ლადოგის ტბის აუზი) ნაპირზე ტიხვინის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო და საავტ გზების კვანძი. 65 ათ. მცხ. (1983) ეაერთიანება „კიროვსკი ზავოდი", ხე-ტყის დასამუშ., სატყეოქიმ. მრეწველობა, სახლთსაშენი კომბინატი და სხვა საწარმოები პოლიტექნიკუმი, სამსხმელო და მექან ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი, პოლიტექ ინ-ტის ფილიალი. კომპოზიტორ ნ რიმსკი-კორსაკოვის სახლ-მუზეუმი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (1974).

ტიხვინის შეტევითი ოპერაცია 1941, დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს საბჭ ჯარების კონტრშეტევა ტიხვინთან 12 ნოემბ — 30 დეკ. ილმენის ტბიდან ლადოგის ტბამდე მტერს განლაგებული ჰყავდა 10 ქვეითი, 2 სატანკო და 2 მოტორიზებული დივიზია 12 ნოემბ შეტევაზე გადავიდა საბჭ ჯარის 52-ე არმია და 20 ნოემბ მალაია-ვიშერა დაიკავა 19 ნოემბ. ტიხვინის რ-ნში შეტევა წამოიწყო მე-4 არმიამ საბჭ ჯარების დარტყმების შედეგად ტიხვინის დაჯგუფებას გარემოცვის საშიშროება შეექმნა 9 დეკ საბჭ ჯარებმა ტიხვინი შტურმით აიღო მტერმა უკან დაიხია 15 დეკ სიტომლი გაათავისუფლეს, 16 დეკ — ბოლშაია-ვიშერა 54-ე არმიამ დეკ-ში შეტევა განავითარა კირიშის მიმართულებით 21 დეკ. ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა ბუდოგოშჩი გაათავისუფლეს და კირიში-გრუზინოს უბანში შეუერთდნენ ლენინგრ ფრონტის ჯარებს საბჭ. ჯარებმა კონტრშეტევის შედეგად მტერი საწყის პოზიციებზე უკუაგდეს და 100—120 კმ წინ წაიწიეს ლენინგრ. სრული გარემოცვის გეგმა ჩაიშალა.

ტიხი (Tychy), ქალაქი პოლონეთში, კატოვიცეს საეოევოდოში. 172 ათ. მცხ. (1981) იღებენ ქვანახშირს. არის მსუბუქი ავტომობილების ქ-ნა; ცელულოზა-ქაღალდის, ელექტრონული, კვების მრეწველობა.

ტიხო ბრაჰე, იხ. *ბრაჰე ტიხო.*

ტიხონოვი გაბრიელ ადრიანის ძე [19. IV (1 V) 1875, სმოლენეიჩი, ახლანდ. მინსკის ოლქი, – 25. I. 1960, ალმა-ათა], საბჭ. ასტრონომი, სსრკ მეცნ. აკად წ.-კორ. (1927) ყაზ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). 1897 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი 1906—41 მუშაობდა პულკოვოს ობსერვატორიაში, შემდეგ ყაზ. სსრ მეცნ. აკადემიაში. იკვლევდა ასტრომეტრიისა და სპექტროფოტომეტრიის საკითხებს, შრომები აქვს ატმ. ოპტიკასა და აეროფოტოგადაღებაშიც. ააგო რამდენიმე ასტრონ. იარაღი. მარსის ზედაპირისა და დედამიწის მცენარეულობის სპექტროფოტომეტრიული შესწავლით საფუძველი ჩაუყარა *ასტრობოტანიკას.* უკანასკნელი დროის კოსმ. გამოკვლევებმა ნიადაგი გამოაცალეს მარსის მიმართ ტ-ის პიპოთეზურ მოსაზრებას, რ-იც საფუძვლად დაედო ამ დარგს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი ღროშის ორდენითა და მედლებით

ტიხომიროვი ვიქტორ ალექსანდრეს ძე [24 XI (6 XII). 1889, ყაზანი, –31. III. 1919, იქვე], რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთში კომპარტიის წევრი 1905-იდან ეწეოდა პარტ. მუშაობას ყაზანში მოსკოვში, ფინეთსა და პეტროგრადში მონაწილეობდა „პრავდის" ჩამოყალიბებაში არერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში, ემიგრაციაში. 1917 თვა რევ. მონაწილე პეტროგრადში, რსდმპ (ბ) კომიტეტის წევრი. რსდმპ (ბ) VI ყრილობის დელეგატი 1917 ოქტ. დღეებში მუშაობდა რსდმპ (ბ) მოსკ. კომიტეტის სამხ. ბიუროში, შემდეგ იყო მოსკ. საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის მდივანი. 1918 შინსახკომის კოლეგიის წევრი, საბჭ. მილიციის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ტიხომიროვი მიხეილ ნიკოლოზის ძე [19 (31). V 1893. მოსკოვი, – 2. IX. 1965. იქვე], საბჭ. ისტორიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). მოსკ. უნ-ტის დამთავრების (1917) შემდეგ სამუზეუმო, საბიბლიოთეკო და პედ. საქმიანობას ეწეოდა 1934-იდან მუშაობდა მოსკ. უნ-ტის ისტ ფაკ-ტზე. 1935-იდან – ისტ. ინ-ტში, შემდეგ – სლავთმცოდნეობის ინ-ტში. 1953—57 სსრკ მეცნ აკად. ისტ. მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი იყო, 1956-იდან – არქეოგრაფიული კომისიის თავ-რე. ტ-ის ძირითადი ნაშრომები ეხება რუს. და სსრკ ხალხთა ისტორიას უძველესი დროიდან XIX ს-მდე, სლავური ქვეყნებისა და ბიზანტ ისტორიას, ისტ გეოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას, პალეოგრაფიას და სხვ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

ლიტ M H Тихомиров, М., 1963 (Материалы к биобиблиографии ученых СССР): Жизнь и деятельность М. Н. Тихомирова Библиография, კრ.: Новое о прошлом нашей страны, М., 1967.

ტიხონოვი ანდრია ნიკოლოზის ძე [დ. 17 (30) 10. 1906 გუატსკი, ახლანდ. ქ. გაგარინი, სმოლენსკის ოლქი], საბჭ. მათემატიკოსი და გეოფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად აკადემიკოსი (1966) სოციალ. შრომის გმირი (1953) დაამთავრა მოსკ. სახელმწ უნ-ტი (1927), ასწავლის იქვე (1936-იდან პროფესორი), 1970-იდან გამოთვლითი მათ. და კიბერნ ფაკ-ტის დეკანი, 1953-იდან სსრკ მეცნ. აკად. მ. კელდიშის სახ გამოყენებითი მათ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე. მისი შრომები ეძღვნება ტოპოლოგიასა და ფუნქციონალურ ანალიზს, დიფერენც. განტოლებათა თეორიას, მათ. ფიზიკას, გეოფიზიკასა და გამოთვლით მათემატიკას. სსრკ სახელმწ. პრემია (1953, 1976), ლენინური პრემია (1966). დაჯილდოებულია 5 ლენინისა და 4 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Методы решения некорректных задач, М., 1974 (თანაავტ.: В. Я. Арсенин); Уравнения математической физики, 4 изд., М., 1972 (თანაავტ.: А. А. Самарский).

ლიტ Андрей Николаевич Тихонов, «Успехи математических наук», 1956, т. 11, в 6; 1967, т 22, в 2

ტიხონოვი ვიაჩესლავ ვასილის ძე (დ. 8. II 1928, მოსკ. ოლქი, პავლოვსკი-პოსადი), საბჭ კინომსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1974), სოციალ. შრომის გმირი (1982) 1950 დაამთავრა მოსკ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ტ-ის ღებიუტი შედგა ფილმში „ახალგაზრდა გვარდია" (1948, ა. ფადეევის მიხედვით, ვოლოდია ოსმუხინის როლი). სხვა როლები: მატვეი მოროზოვი

(„ეს მოხდა პენკოვოში", 1958), ვიქტორ რაისკი („საგანგებო შემთხვევა", 1959), ალექსეი („ოპტიმისტური ტრაგედია", 1963), თავადი ანდრეი („ომი და მშვიდობა", 1966–67), მელნიკოვი („ვიცოცხლებთ ორშაბათამდე", 1968). დიდი პოპულარობა მოუტანა შტირლიცის როლმა ფილმში „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება". (1972). ამ ფილმში ტ-მა საბჭოთა მზვერავის, პოლკოვნიკ ისაევის დაუვიწყარი სახე შექმნა. ლენინური პრემიის (1981) და სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1970). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და ოქტ. რევ. ორდენით.

ტიხონოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [დ. 1 (14). V. 1905, ხარკოვი], საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1975, 1982). სკკპ წევრი 1940-იდან. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. შრომით საქმიანობა დაიწყო 1924-იდან, იყო ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწე. დაამთავრა დნეპროპეტროვსკის მეტალ. ინ-ტი (1930). ტექ. მეცნ. დოქტორი. 1930-იდან მუშაობდა ინჟინრად, საამქროს უფროსად, მთავარ ინჟინრად, ქ-ნის დირექტორად, ეკავა მთელი რიგი ხელმძღვანელი თანამდებობები სსრკ შავი მეტალ. სამინისტროში (სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილე). 1957–60 სათავეში ედგა დნეპროპეტროვსკის სახ. მეურნ. საბჭოს. 1960–63 იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწ. სამეცნ.-ეკონ. საბჭოს თავ-რის მოადგილე — სსრკ მინისტრი. 1963–65 სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავ-რის მოადგილე—სსრკ მინისტრი. 1965-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე, 1976-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე. 1980 ოქტ-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. 1961 — 66 სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1966 — 78 სკკპ ცკ-ის წევრი. 1978 აირჩიეს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, ხოლო 1979—სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1943, 1951), სსრკ V—XI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 9 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ტიხონოვი ნიკოლოზ სემიონის ძე [22. XI (4. XII). 1896, პეტერბურგი, — 8. II. 1979, მოსკოვი], რუსი საბჭ. პოეტი, საზოგადო მოღვაწე. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი (1957), სოციალ. შრომის გმირი (1966). 1918–22 წითელი არმიის რიგებში იყო, ლიტ. მოღვაწეობა 1918-იდან დაიწყო. ტ-ის პირველი პოეტური კრებულებია „ორდა" და „ბრაგა" (ორივე 1922). 1923-იდან მის პოეზიაში შეინიშნება თანამედროვეობის ცხოველი განცდა და ძიება პოეტური მეტყველების სფეროში (ლექსთა ციკლი „სამხრეთი", 1923; პოემები „ჭადრაკი", 1923; „პირისპირ", 1924; „წითლები არაქსზე", 1924; კრებ. „გმირის ძიება", 1927 და სხვ.). ამიერკავკასიასა და შუა აზიაში მოგზაურობის შედეგი იყო ლექსების კრებ. „იურგა" (1930), მოთხრობების კრებ. „რისკიანი კაცი" (1927), ნარკვევები და სხვ. კომუნისტის სახე წარმოაჩინა პოემაში „კიროვი ჩვენთანაა" (1941; სსრკ სახელმწ. პრემია, 1942). ტ-ის პოეზიის ორგ. თემაა ინტერნაციონალიზმი (მოთხრობები „ვამბერი", 1925; „ომი", 1931; ლექსების კრებ. „მეგობრის აჩრდილი", 1936; „ორი ნაკადი", 1951; სსრკ სახელმწ. პრემია, 1952; მოთხრ. „თეთრი სასწაული", 1956; „ექვსი კოლონა", 1968; ლენინური პრემია, 1970 და სხვ.).

საქართველოში მოგზაურობის შედეგად ტ-მა დაწერა პოემა „გზა" (1924), რ-იც ზაჰესის მშენებლობის მხატვრული ასახვის პირველი ცდა იყო. ქართ. თემატიკაზეა შექმნილი მოთხრობები „ფიცი ნისლში" (1932), „სიმონ-ბოლშევიკი" (1932), „წყნეთის საღამოები" (1957), ლექსთა ციკლები „მთები", „ლექსები თბილისზე", „ლექსები კახეთზე" (1935), „ქართული გაზაფხული" (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), პუბლიც. წერილები და სხვ. 1966 საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისთვის მიეკუთვნა რუსთაველის სახ. პრემია. ტ. ქართ. პოეზიის დიდი პოპულარიზატორი იყო, თარგმნა 30-მდე ქართ. პოეტის ლექსები. სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატი, 1944-იდან სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი. ტ. შევჩენკოს, კ. ხეთაგუროვის, ჯავაჰარლალ ნერუს პრემიების ლაურეატი. სსრკ II — IX მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მშვიდობის დაცვის საბჭ. კომიტეტის თავ-რე (1949-იდან). მისი თხზულებები თარგმნილია სსრკ ხალხთა და მრავალ უცხო ენაზე. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენით და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—7, М., 1973—76; **Поэты советской Грузии**, Тб., 1948; **Стихи о Грузии**, Тб., 1958; რჩეული, თბ., 1959; ორფრთა ცისარტყელა, თბ.,1971.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე ი., სიტყვები. გზები. სახეები, თბ., 1971; ა ხ ა ლ ა ძ ე ვ., საქართველო ნ. ტიხონოვის პოეზიაში, თბ., 1975; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., კრიტიკული ეტიუდები, [ტ.] 6, თბ., 1981. *მ. ქრისტესაშვილი.*

ტიხონრავოვი ნიკოლოზ სავას ძე [3 (15). X. 1832, სოფ. შემეტოვო, ახლანდ. კალუგის ოლქი, — 27. XI (9. XII). 1893, მოსკოვი], რუსი ლიტერატურათმცოდნე. პეტერბ. აკად. აკადემიკოსი (1890). რუს. ლიტერატურათმცოდნეობის კულტ.-ისტ. სკოლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. გამოსცა „რუსული ლიტერატურისა და სიძველეთა მატიანეები" (ტ. 1–5, 1859–63), „1672–1725 წლების რუსული დრამატურგიული თხზულებანი" (ტ. 1–2, 1874) და სხვ.



ნ. ს. ტიხონოვი.

ტიხორეცკი, ქალაქი (1926-იდან) რსფსრ კრასნოდარის მხარეში. ტიხორეცკის რ-ნის ცენტრი. დიდი სარკინიგზო კვანძი. 65 ათ. მცხ. (1983). მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ., კვების მრეწველობა. რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი.

ტიხტენგენი, მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ (მდ-ების ჩეგემისა და ენგურის) ქედზე. სიმაღლე 4618 *მ.* აგებულია გრანიტებით, გნაისებითა და კამბრიულისწინა მეტამორფული ფიქლებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. *მ. უთმელიძე.*

ტიხტიხი, გამრავლების პერიოდში ფრინველთა ურთიერთობის ფორმა, რასაც გამოხატავს მათი თავისებური ქცევა: ფრენა, გალობა, განსაკუთრებული პოზის მიღება, ზოგჯერ ცრუ ბუდეების აგება, „შეჯიბრებები" და ნამდვილი ბრძოლები გამართვა. ყველაფერი ეს საჭიროა მამლების ან დედლების ყურადღების მისაპყრობად და ხელს უწყობს შეწყვილებისათვის მზადყოფნას. განსაკუთრებით დამახასიათებელია პოლიგამიური ფორმებისათვის (რეჩო). პოლიანდრიის იშვიათ შემთხვევაში ტიხტიხებენ დედლები, ხოლო მონოგამიურ ფორმებში—მამლები თავიანთი დედლების ახლოს. *რ. ყორდანია.*

შეჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სვ.	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
I თ ო მ ი					
30	III	—	40—39	*ნატ ტერნერის*	ნატ *ტერნერის*
448	I	24—25	—	(Andreas o	(Andreas ho
II თ ო მ ი					
70	II	—	6—7	(მაქთიმუშულის	(მაქთიმშულის
80	II	48	—	დაშნაკცუტუნი	დაშნაკცუთიუნი
60	სურ.	წარწერა	6	ქ. კრასნოდარი.	ქ. კრასნოდონი.
607	I	—	9	სტანფორდის	სტენფორდის
III თ ო მ ი					
361	III	—	19	სოლდიელებმა,	სოლდელებმა,
361	III	—	16	სოლდიერისა	სოლდურისა
404	I	—	34	„ფარუჟი",	„ფარული",
629	II	—	37	ფაიკ-ფაშას	ფაიქ-ფაშას
631	II	17	—	კურუხი,	კურული,
IV თ ო მ ი					
329	I	5—6	—	ტორნტონი,	თორნტონი,
344	I	20	—	სინგალურ	სინჰალურ
623	I	44	—	ქ. *კასტელი*,	კ. *კასტელი*,
670	I	—	28	ტ ე ფ ი ა,	ტ ე თ ი ა,
V თ ო მ ი					
106	I	—	39—37	„აბოს წამების" ატრიბუციისათვის, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1973, ტ. 69, № 1.	ქართული აგიოგრაფიის კომენურ რედაქციათა ატრიბუციისათვის, თბ., 1973 (ავტორეფ.).
VI თ ო მ ი					
41	I	8	—	(ლეგელერები)	(კავალერები)
124	II	—	43	ანტიოქოს II-მ	ანტიოქე II-მ
151	III	11	—	ლ-კასემ	ლ-ფასემ
167	II	21	—	სტანფორდში,	სტენფორდში,
435	II	—	13	კათოლიკებს	კათოლიკეებს
435	III	28—29	—	(კათოლიკები	(კათოლიკეები
VII თ ო მ ი					
101	III	—	21	ლავრენტისი	ლავრენტის
384	III	—	26	(პლუტარქე,	(პლუტარქე ათენელი,
384	III	—	25	დიადოქოსი)	*პროკლე* დიადოქოსი)
VIII თ ო მ ი					
293	I	25	—	ლატვ.	ლათ.
352	III	30	—	თბ.,	ბათ.,
354	I	4	—	pendulimus)	pendulinus)
354	I	13	—	caspicus).	caspius).
356	II	—	4	(1554).	(1554 გამოც.).
362	I	34—35	—	*რენტგენოკონტრასტული საშუალებანის*	*რენტგენოკონტრასტულ საშუალებათა*
362	II	29	—	წესის.	წესი.
367	II	1	—	Ჯ. მეგოუნმა	Ჯ. მეგონმა
371	I	38	—	ღვიძლისათვის	ღვიძილისათვის
371	I	42	—	Suis).	suis).
390	II	3	—	Burneti,	burneti,
390	II	10	—	Bovis,	bovis,
400	III	—	10	ამის	ომის
401	III	7	—	—3,8°C, აგვ.—17,6°C	3,8°C, აგვ. 17,6°C
424	III	—	7	1906—07.	1606—07.
432	III	—	15	დეკორის	დეკორით
519	III	—	11	(154/547,	(1545/47,
538	I	5—6	—	*ნეოკლასიციზმის*;	*ნეოკლასიციზმი*;
547	I	38—39	—	ნაადაგთმცოდნეობის, ხოლო შემდე კათედრის	ნაადაგთმცოდნეობის კათედრის
547	II	13	—	ლო რასპის	ლორასპის
558	III	6	—	Sociaeistico	Socialistico
566	III	—	40	ტ-24 — 72 *8*,	24 — 72 *8*,
579	ცხრილი				
	II	15	—	1740293	17405293
	IV	9	—	1158169	11758169
602	I	—	7	88	98
609	II	9	—	გადმხდელთა	გადამხდელთა
620	III	8	—	მიმართულია	მიმართული
636	I	—	22	ლ. *შენგელია*.	რ. *შენგელია*.
654	III	28	—	ვაგნერი წერდა, ჯ. მარქსი,	ჭაგნერი,—წერდა კ. მარქსი,—
657	I	14—15	—	ზ. *ტინტილოზოვი*. სათაფლეოს	ზ. *ტინტილოზოვი*. ილუსტრაცია — იხ. ქსე, ტ. IX, გვ. 32. სათაფლეოს
659	II	29	—	18 *კმ*.	8 *კმ*.
661	I	5	—	13, 8 *კვტ/ს*.	23,8 *კვტ·სთ*.
666	II	18—19	—	ჯ. *ნადირაძე*. „საისტორიო	ჯ. *ნადირაძე*. ილუსტრაცია—იხ ქსე, ტ. IX, გვ. 64. „საისტორიო
667	II	11—12	—	ი. *გაგოშიძე*. საფიდანოვი	ი. *გაგოშიძე*. ილუსტრაცია—იხ. ქსე, ტ. IX, გვ. 32—33. საფიდანოვი
686	II	11	—	საბჭ. კომპლექსი.	საბჭ. მეურნ.-კომპლექსი.
686	III	—	21	კახეთი	კახეთის
688	II	30—31	—	წმ. ეკლესიები.	წმ. გიორგის ეკლესიები.
IX თ ო მ ი					
31	I	26	—	დაკავშირებული	დაკავებული
75	II	—	26—27	ამენაპკაზი	ამენაფრკაზი
80	II	34	—	ბისა. ეშაპების მეტნაკლებად	ბისა. მეტ-ნაკლებად
100	I	—	43	1983. ლ. *ფერაძე*.	1983. გ. *იმედაშვილი*. ლ. *ფერაძე*.
129	II	5—6	—	აგროქიმიკოსებისათვის, თბ., 1983.	აგრონომებისათვის, თბ., 1984.
153	III	6—7	—	(—∪—∪—∪—∪—∪—∪)	(—∪—∪—∪—∪—∪—∪)
153	III	7	—	(—∪∪—∪).	(—∪∪—∪).
155	I	18—19	—	განიხილავენ საქმეებს.	განიხილავენ უფრო სერიოზულ საქმეებს.
159	III	19—20	—	104% ბელგია ლუქსემბურგის	10,4% ბელგია-ლუქსემბურგის
199	III	5	—	დანგრეულია. *რ. მეფისაშვილი*.	დანგრეულია. *ი. აფრასიაშვილი. რ. მეფისაშვილი*.
226	II	—	1	(ნაწლავთა	(ნაწილაკთა
254	II	22	—	ხაიალას	ბრიალას
324	ნახ.	წარწერა		მმ — მაძიებელი	მმ — მაძლიერებელი
334	I	37	—	ამასთან, ს. ზ.-ის კრის-	ამასთან, კრის-
492	I	—	7	Социалистическая	Социалистическая

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციები

ბიოლოგიის, მედიცინის და სოფლის მეურნეობისა. რედაქციის გამგე მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფ. ვ. აბაშიძე; ბიოლოგიის ჯგუფის ხელმძღვ. რ. ფერეთილი; სოფ. მეურნეობის ჯგუფის ხელმძღვ. გ. ძველაძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: მ. იაშვილი, მ. ნათაძე; სამეცნ. რედ. ე. ვაჩნაძე; უმცრ. რედ. ც. ხელაძე.

დედაქალაქის შემსწავლელ მეცნიერებათა. რედაქციის გამგე გ. დონდუა; საქართველოს გეოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვ. მ. უთმელიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ე. ლოლუა, ა. ცინცაძე; სამეცნ. რედაქტორები: მ. ბალიაური, დ. სვანიძე, ლ. ხერხეულიძე; უმცრ. რედ. ე. ტაბუცაძე.

ეკონომიკისა და სამართლისა. რედაქციის გამგე ეკონ. მეცნ. კანდიდატი ჯ. კახნიაშვილი; სამართლის ჯგუფის ხელმძღვ. ვ. მაყაშ...ლი; სამეცნ. რედ. მ. ჭიჭინაძე; უმცრ. რედ. ნ. გომართელი.

ენისა და ლიტერატურისა. რედაქციის გამგე შ. მადაჭკორია; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ლ. აქალიანი, ო. ლაბაძე; სამეცნ. რედაქტორები: მ. ტიტვინიძე, მ. შონია; უმცრ. რედ ლ. ჯაფარიძე.

მსოფლიო ისტორიისა და სამხედრო საქმისა. რედაქციის გამგე ი. ჯაფარიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ც. ყიფიანი, ლ. შენგელია; სამეცნ. რედაქტორები: ი. გოგოლაშვილი, ლ. მანიავა, ზ. ჯვებაძენავა; უმცრ. რედ. ნ. მელქაბიშვილი.

სალიტერატურო კონტროლისა. რედაქციის გამგე ც. ცერცვაძე; სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვ. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი მ. ჭაბაშვილი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: მ. ამაშუკელი, მ. დუგლაძე, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ა. კობახიძე, მ. მაკალათია, ე. მარტაშვილი; სამეცნ. რედ. რ. ფოფხაძე; უფრ. რედაქტორები: ნ. ცინცაძე, ე. ხომერიკი.

სამეცნიერო კონტროლისა და კომპლექსური სტატიებისა. რედაქციის გამგე ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ლ. პოლიძაძე; კომპლექსური სტატიების ჯგუფის ხელმძღვ. თ. აფაქიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: რ. აქალიანი, ც. თაქაძე, თ. მურმანიშვილი; ც. მოისწრაფიშვილი, სამეცნ. რედაქტორი დ. ბუჯიაშვილი; უმცრ. რედ. მ. კუტივაძე.

საქართველოს ისტორიისა. რედაქციის გამგე ისტ. მეცნ. დოქტორი მ. გუჩუა; უფრ. სამეცნ. რედაქტორი ლ. ლუდუშაური; სამეცნ. რედაქტორები: მ. ჯაფარიძე, მ. ნარსია; უმცრ. რედ. ნ. ჩხენკელი.

სიტყვანის, ბიბლიოგრაფიის და დაკომპლექტებისა. რედაქციის გამგე ი. ყიფიანი; ბიბლიოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვ. ნ. გიორგაძილი; დაკომპლექტების ჯგუფის ხელმძღვ. ც. კვეზერელი; უფრ სამეცნ. რედაქტორები: მ ილურიძე, ძ. მენაღარიშვილი; სამეცნ რედაქტორები: მ ბოლძიაძე, ზ. გეფაძე, ე. თოხაძე, ნ. შალუტაშვილი, ი ჩარკვიანი, თ. ჭილაძე; უფრ. რედ. დ. გურგენიძე; უმცრ. რედაქტორები: მ. სილაგაძე. ვ. მაჩაიძე.

სსრკ ხალხთა, სკკპ და საქართველოს კპ ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიისა. რედაქციის გამგე ისტ. მეცნ. კანდიდატი ზ მეტრეველი, უფრ სამეცნ. რედაქტორები: ნ. ვაჩეიშვილი, მ. მარი; სამეცნ. რედაქტორები: ნ. ბოკუჩავა, ზ. ქრიხელი; უმცრ. რედ. ლ. ქაჭარავა.

ფიზიკა-მათემატიკისა და ტექნიკისა. რედაქციის გამგე ზ. ჭელიძე; ტექნიკის ჯგუფის ხელმძღვ. ა. არდიშვილი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: მ. გელიტაშვილი, ძ. დემუროვა; სამეცნ. რედაქტორები: თ. არსენაძე, მ. ტატიშვილი; უმცრ. რედ. ფ. ონასარიძე.

ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, საბალხო განათლების და პრესისა. რედაქციის გამგე მ. ბაძრაძე; ფილოსოფიის. მეცნიერული კომუნიზმისა და ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღვ. ფილოს. მეცნ. დოქტორი, პროფ. ბ. ასათიანი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ზ. თევზაძე, მ. ქევარაცხელია; უმცრ. რედ. ვ. მაშაქიძე.

ხელოვნებისა. რედაქციის გამგე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ა. ჩხარტიშვილი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: შ. სალარაძე, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ლ. ძნელაძე; სამეცნ. რედაქტორები: მ. ამირანაშვილი, მ. ხერხეულიძე; უმცრ. რედ. ლ. ცაგარეიშვილი.

ილუსტრაციის, კარტოგრაფიის და სამხატვრო-ტექნიკური გაფორმებისა. რედაქციის გამგე შ. ნიორაძე; კარტოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვ. ც. მაშაკიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: თ. ბარამიძე, ვ. ფდინარაძე. ნ. პასკალოვა, ი. ძართველიშვილი; სამეცნ. რედაქტორები: ლ. ალიკოვი, ზ. გოლოვატენკო, რ. მახარაძე, ე. ფიკლაური, ფილ. მეცნ. კანდიდატი მ. ხინთიბიძე; უფრ. რედ. ლ. გიორგობიანი; უფრ. ტექ. რედ. თ. ძოგალაძე; ტექ. რედ. ა. ჩეკულაევი; უმცრ. რედ. ო. პირველი; ფოტოგრაფი ვ. ბონდარევი; გამომშვები თ. ცაბარელი.

საკორექტორო. საკორექტოროს გამგე თ. ლეჟავა; უფროსი კორექტორები. მ. გოცირიძე, ლ. საათაშვილი, ც. შანიძე, მ. ჩხაიძე; კორექტორები: მ. ბაბუნია, ნ. ვაშაძე, მ. ფირცხალაია.

სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა. ბიბლ. გამგე ზ. ძენძაძე; ბიბლიოგრაფები: შ. ქუთათელაძე, დ. ჯიბლაძე.

მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ი.რ. აბაშიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. მეტრეველი, პასუხისმგებელი მდივანი ი. ვარდოსანიძე, პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე წარმოების დარგში ბ. ასათიანი.

რ უ კ ე ბ ი ს ს ი ა

(ფრჩხილებში მოთავსებულია გვერდები)

შავ-თეთრი სატექსტო რუკები: სამტრედიის რაიონი (35), სამცხე-საათაბაგო XV—XVI სს-ში (48), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ს (65). ზიმბაბვე (ყოფილი სამხრეთი როდეზია) (72), სან-მარინო (84), სან-ტომე და პრინსიპი (89), სარატოვის ოლქი (99), საუდის არარაბეთი (146), საფრანგეთის დიდი რევოლუცია (166), საჩხერის რაიონი (213), სახალინის ოლქი (229), სეიშელის კუნძულები (273), სემიპალატინსკის ოლქი (282), სენეგალი (285), სენტ-ვინსენტი და გრენადინები (290), სენტ-კრისტოფერი და ნევისი (291), სენტ-ლუსია (291), სვაზილენდი (308), სვერდლოვსკის ოლქი (314), სიერა-ლეონე (327), ადრინდელი სილურული ეპოქის პალეოგეოგრაფიული სქემა (344), სინგაპური (368), სირდარიის ოლქი (381), სირია (382), სილნაღის რაიონი (408), სმოლენსკის ოლქი (444), სოლოლმინის კუნძულები (458), სომალი (459), სოხუმის რაიონი (504), სპილოს ძვლის ნაპირი (518), სტავროპოლის მხარე (543), სუდანი (593), სუმის ოლქი (605), სურინამი (612), სურხანდარიის ოლქი (613), ტაილანდი (639), ტამბოვის ოლქი (650), ტანზანია (653), ტატაშკენტის ოლქი (670), ტერნოპოლის ოლქი (699), ტიან-შანი (ოროგრაფიული სქემა) (713), ტიუმენის ოლქი (730).

ფერადი ჩანართი რუკები: სამხრეთი ამერიკა (ფიზიკური რუკა, გეოლოგიური რუკა, ეთნოგრაფიული რუკა) (161), პოლიტიკური ი რუკა (192), სტალინგრადის ბრძოლა (193), საფრანგეთი (240—241), სომხეთის სსრ, ფიზიკური და ეკონომიკური რუკა (464).

ფერადი რუკების შედგენას საფუძვლად დაედო დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემისა და სხვა სახელმწიფო კარტოგრაფიული გამოცემების შესაბამისი შინაარსის რუკები. ყველა შემთხვევაში რუკათა შინაარსი შეჯერებულია სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს რუკათშედგენის საწარმოო გაერთიანება „კარტოგრაფიის" მომორიგე რუკების 1985 წლის იანვრის მდგომარეობასთან.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ტომი 9. სამეურვეო — ტიბტიხი 736 გვ.
ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ
ЭНЦИКЛОПЕДИЯ. Т. 9
(На грузинском языке)

თბილისი აკად. გ. წერეთლის ქ. № 1
Тбилиси, ул. акад. Г. Церетели № 1
380062

1985

ტომში მოთავსებულია ღრმა ბეჭდვის 20 ჩანართი (დაიბეჭდა მოსკოვის № 2 სტამბაში), მაღალი ბეჭდვის 12 ფერადი ჩანართი, 24 24 ფერადი ოფსეტური ჩანართი (დაიბეჭდა საქართველოს ჰპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში), 10 ფერადი ჩანართი რუკა (დაიბეჭდა და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს № 8 ფაბრიკაში), ტექსტში 42 შავ-თ|-თეთრი რუკა, 1700-ზე მეტი ილუსტრაცია და სქემაა ი. იანონისის სახ. ფაბრიკის სპეციალური საბეჭდი ქაღალდი № 1.

გადაეცა წარმოებას 29/IX — 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/I — 85 წ. უე 01966, ტირაჟი 80 000, პირველი ჩაშვება 1 — 4— 40000. შეკვ. № 233. ანაწყობის ზომა $2^3/_4 + 6 + 2^3/_4 + 6 + 2^3/_4 \times 12^1/_2$; ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{16}$, ბეჭდვა ოფსეტური; გარნიტურები ენციკლოპედიური; მოცულობა 46 ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი, ტექსტის პირობითი ნაბეჭდი თაბახი 77,28 + ჩანართი ილუსტრაციების 6,,94,94 პირობითი ნაბეჭდი თაბახი, სულ 84,22 პირობითი ნაბეჭდი თაბახი. სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 182,76

ფასი 11 მან. 65 კაპ.

საქართველოს სსრ გამსახკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5. 380029.

Комбинат печати Госкомиздата Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5, 380029.